03
ძ 279

მთავარი რედაქტორი
ირ. აბაშიძე

მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრები

ე. ანდრონიკაშვილი, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ლ. გაბუნია, თ. გამყრელიძე, ი. გვერდწითელი, პ. გუგუშვილი, რ. დვალი, ი. დოლიძე, ს. დურმიშიძე, ი. ვარდოსანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ფ. თაქაძე, ო. თაძთაძიშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ნ. ლანდია, დ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, ე. მაღრაძე, ვ. მახალდიანი, გ. მელიქიშვილი, ვ. მერკვილაძე, ე. მეტრეველი, რ. მეტრეველი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ი. მიქელაძე, რ. ნათაძე, შ. ნაფეტვარიძე, ე. ოკუჯავა, დ. სტურუა, ა. ფრანგიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ა. ჩიქოვანი, დ. ჩხიკვიშვილი, გ. ციციშვილი, გ. ძიძარია, ა. ძიძიგური, შ. ძიძიგური, ნ. ჭავჭავაძე, ვ. ჭავჭანიძე, ე. ხარაძე, გ. ჯიბლაძე, ს. ჯიქია.

ქართული საგვარეულოთა ენციკლოპედია

ჭარმოული საჭიმია
ენციკლოპედია



თუთია – კოეტეილი

ემთავარი საეცნიერო redaქცია

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
И. В. АБАШИДЗЕ

ЧЛЕНЫ ГЛАВНОЙ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Э. Л. АНДРОНИКАШВИЛИ, А. Г. БАРАМИДЗЕ, В. В. БЕРИДЗЕ, Я. Л. ВАРДОСАНИДЗЕ (ответственный секретарь), Л. К. ГАБУНИЯ, Т. В. ГАМКРЕЛИДЗЕ, И. Г. ГВЕРДЦИТЕЛИ, П. В. ГУГУШВИЛИ, Р. Р. ДВАЛИ, Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ, С. С. ДЖИКИЯ, Г. А. ДЗИДЗАРИЯ, А. А. ДЗИДЗИГУРИ, Ш. В. ДЗИДЗИГУРИ, И. С. ДОЛИДЗЕ, С. В. ДУРМИШИДЗЕ, П. И. ИНГОРОКВА, С. Г. КАУХЧИШВИЛИ, Н. Н. КЕЦХОВЕЛИ, В. Д. КУПРАДЗЕ, Н. А. ЛАНДИЯ, Д. О. ЛОРДКИПАНИДЗЕ, К. А. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Э. С. МАГРАДЗЕ, В. В. МАХАЛДИАНИ, Г. А. МЕЛИКИШВИЛИ, В. Н. МЕРКВИЛАДЗЕ, В. И. МЕТРЕВЕЛИ, Р. В. МЕТРЕВЕЛИ (заместитель главного редактора), И. С. МИКЕЛАДЗЕ, Ш. Г. НАПЕТВАРИДЗЕ, Р. Г. НАТАДЗЕ, В. М. ОКУДЖАВА, А. С. ПРАНГИШВИЛИ, Д. Г. СТУРУА, Ф. Н. ТАВАДЗЕ, О. В. ТАКТАКИШВИЛИ, Е. К. ХАРАДЗЕ, Г. В. ЦИЦИШВИЛИ, Н. З. ЧАВЧАВАДЗЕ, В. В. ЧАВЧАНИДЗЕ, А. С. ЧИКОБАВА, Г. С. ЧИТАЯ, Д. И. ЧХИКВИШВИЛИ, А. Г. ШАНИДЗЕ.

ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ ЭНЦИКЛОПЕДИЯ

ТОМ V. ТБИЛИСИ, 1980



თუთია (Zincum), Zn, ელემენტთა პერიოდული სისტემის II ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 30, ატ. მასა 65,38, $t_{დნ}$ 419,5°C, $t_{დუღ}$ 906°C, მყარი თ-ის სიმკვრივე 7133 *კგ/მ*^{3} (20°C); თხევადისა 6660 *კგ/მ*^{3} (419,5°C); მოცისფრო-თეთრი ლითონი. ცივ მდგომარეობაში თ. მყიფე ლითონია, 100—150°C-ისას პლასტიკურია და ადვილად იგლინება. ცნობილია თ-ის 5 მდგრადი იზოტოპი, რ-თა მასური რიცხვებია: 64, 66, 67, 68 და 70 ყველაზე მეტად გავრცელებულია ^{64}Zn (48,89%). ხელოვნურად მიღებულია 9 რადიოაქტიური იზოტოპი, რ-თაგანაც ყველაზე დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობისაა ^{65}Zn ($T^1/_2$=245 *დღ-ღ*); იყენებენ იზოტოპურ ინდიკატორად.

თ-ის შენადნობი სპილენძთან — თითბერი — ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ბერძნებისა და ეგვიპტელებისათვის. სუფთა სახით თ-ის მიღება დიდი ხნის განმავლობაში არ ხერხდებოდა. 1746 ა. მარგრაფმა შეიმუშავა თ-ის მიღების მეთოდი.

დედამიწის ქერქში თ-ის სშ. შემცველობა მასის მიხედვით 8,3 · 10^{-3}%-ია, უფრო მეტია ამოფრქვეულ ფუძე ქანებში (1,3 · 10^{-2}%), ვიდრე მჟავა ქანებში (6 · ·10^{-3}%). ცნობილია თ-ის 66 მინერალი, მათგან მნიშვნელოვანია ცინკიტი, *სფალერიტი, ვილემიტი, კალამინი, სმითსონიტი*, ფრანკლინიტი. წითელი ვარვარის ტემპ-რაზე თ. ენერგიულად შლის წყლის ორთქლს. ხსნარებიდან ადვილად აძევებს Cd, Co, Cu, Ag, Au და სხვ. ჟანგბადთან გახურების შედეგად წარმოქმნის ZnO. აზოტთან 600°C ზევით გახურებისას თ-ის ზედაპირზე წარმოიქმნება ნიტრიდი Zn_3N_2.

მშრალი ფთორი, ქლორი, ბრომი თ-თან ოთახის ტემპ-რაზე არ რეაგირებენ, წყლის ორთქლის თანაობისას კი თ. აალებას იწყებს და წარმოქმნის შესაბამის ჰალოგენიდს. გოგირდთან გახურებისას წარმოქმნის სულფიდს. $LiAlH_4$-ის მოქმედებისას თუთიაორგანულ ნაერთებთან (მაგ., $Zn(CH_3)_2$-თან) მიიღება თეთრი ფერის თუთიის ჰიდრიდი ZnH_2, რ-იც გახურებისას იშლება Zn და H_2. აცეტილენის ჭავლში თ-ის გახურებით მიიღება თ-ის კარბიდი ZnC_2. ნაერთებში თ. ორვალენტოვანია. მისი ჰიდროჟანგი $Zn(OH)_2$ ამფოტერულია, ტუტეებთან წარმოქმნის ცინკატებს, თ-ის მარილების უმეტესობა უფერულია და წყალში კარგად იხსნება. ძნელად ხსნადი მარილებია ფთორიდი, კარბონატი, სულფიდი, ფოსფატი, ციანიდი, სილიკატი. ტექნიკაში თ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი მარილია *თუთიის სულფატი*, თ-ს აქვს კომპლექსწარმოქმნის უნარი.

თ-ს ძირითადად ღებულობენ პოლიმეტალური მადნების გადამუშავების შედეგად მიღებული თუთიის კონცენტრატების გამოწვით და ნახშირით აღდგენით ან კონცენტრატების გოგირდმჟავაში გახსნით და მიღებული ხსნარის (გასუფთავების შემდეგ) ელექტროლიზით. თ-ს ძირითადად (40%) იყენებენ რკინის ფურცლების დასაფარავად კოროზიისაგან დაცვის მიზნით (მოთუთიება), აგრეთვე შენადნობთა მისაღებად. მისი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შენადნობია თითბერი. თ. იგლინება ფურცლებად და ამ სახით გამოიყენება სამშენებლო კონსტრუქციებში.

მეტალ. და ქიმ. მრეწველობაში ფართოდ იყენებენ თ-ის მტვერს, რ-ითაც ხდება კადმიუმის, სპილენძის, იშვიათი ელემენტების დალექვა სულფატური და ოქროს ციანიდური ხსნარებიდან.

თ. ორგანიზმში. თ. ორგანიზმის ერთ-ერთი ბიოგენური ელემენტია. მონაწილეობს უჯრედში მიმდინარე ფერმენტულ რეაქციებში. არსებითი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო *რიბონუკლეინის მჟავას* (რნმ-ს) მოლეკულების სინთეზისათვის დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ-ს) გარკვეულ უბანზე, რიბოსომებისა და ბიოპოლიმერების (რნმ, დნმ, ზოგი ცილა) სტაბილიზაციაში. მონაწილეობს მცენარეთა სუნთქვის პროცესებში, აგრეთვე ცილებისა და ნუკლეინის მჟავების ცვლაში; არეგულირებს მცენარის ზრდას და ადიდებს მის გვალვა-, სიცხე- და სიცივეგამძლეობას. მისი ნაკლებობა მცენარეში იწვევს სხვადასხვა ფუნქციურ დაავადებას და სხვ. მონაწილეობს ცხოველთა სუნთქვის პროცესსა და ნუკლეინურ ცვლაში, ზრდის მათი სასქესო ჯირკვლების მოქმედების ინტენსივობას, გავლენას ახდენს ნაყოფის ჩონჩხის ფორმირებაზე. თ-ის ნაკლებობა ამცირებს რნმ-ს რაოდენობასა და ცილის სინთეზის ინტენსივობას ტვინში, აგრეთვე აფერხებს ტვინის განვითარებას; ფიქრობენ, რომ თ. ხელს უწყობს ენაზე გემოვნების დვრილების რეგენერაციას და აწესრიგებს მათ საგემოვნო ფუნქციას. გარემოს კადმიუმით დაბინძურებისას თ. იცავს ორგანიზმს.

თ-ის სამედიცინო მნიშვნელობა. ორგანიზმში თ-ის დეფიციტი იწვევს ქონდრისკაცობას, აბრკოლებს სქესობრივ განვითარებას, სიჭარბის დროს კი შეიძლება (ექსპერ. მონაცემებით) გამოვლინდეს მისი კანცეროგენული და ტოქსიკური თვისებები. თ-ის შემცველ შენადნობთა დნობის დროს შეიძლება განვითარდეს *სასხმელი ცხელება*. მედიცინაში თ-ის პრეპარატებს ხსნარების (თ-ის სულფატი), პასტების, მალამოების, სანთლების (თ-ის ჟანგი) და სხვ. სახით იყენებენ სადეზინფექციო და მწკლარტავ საშუალებად.

ლიტ.: Некрасов Б. В., Основы общей химии, 3 изд., т. 1—2, М., 1973—74; Основы металлургии, т. 2, М., 1962.

თუთიის ჟანგი, თუთიის ოქსიდი, ZnO, უფერული კრისტალები; სიმკვრივე 5700 *კგ/მ*^{3}. გავარვარებისას ყვითლდება, არ დნება, 1800°C-ზე უფრო მაღალი ტემპ-რისას ქროლდება. წყალში არ იხსნება. ამფოტერულია — იხსნება როგორც მჟავებში (წარმოქმნის შესაბამის მარილებს), ისე ტუტეებსა და ამიაკის წყალხსნარშიც. ბუნებაში გვხვდება მინერალ ცინკიტის სახით. თ. ჟ-ს მრეწველობაში ღებულობენ თუთიის ორთქლის წვით ჰაერის გარემოში.

თ. ჟ-ს იყენებენ რეზინის მრეწველობაში, ქიმ. მრეწველობაში, საღებავების წარმოებაში, პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, მედიცინაში და სხვ.

თუთიის სასუქი, იხ. *მიკროსასუქი*.

თუთიის სულფატი, გოგირდმჟავა თუთია, $ZnSO_4$ უფერული კრისტალები, სიმკვრივე 3740 *კგ/მ*^{3}. წყალში კარგად იხსნება. ჩვეულებრივ პირობებში წყალხსნარებიდან გამოიყოფა კრისტალჰიდრატის $ZnSO_4 \cdot 7H_2O$. ე. წ. თუთიის აჯასპის სახით. ტუტე ლითონთა სულფატებთან თ. ს. გვაძლევს კომპლექსნაერთებს. თუთიის აჯასპი თუთიის მნიშვნელოვანი ტექ. მარილია.

თუთიის სულფიდი, გოგირდოვანი თუთია, ZnS, თეთრი ფხვნილი, სიმკვრივე 3980—4090 *კგ/მ*^{3}, წყალში უხსნარი, მჟავებში იხსნება და წარმოქმნის შესაბამის მარილებს. ბუნებაში გვხვდება მინერალ *სფალერიტისა* და ვურტციტის სახით. იყენებენ ნახევრად გამტარულ მასალად, ლუმინოფორებში და სხვ.

თუთიის ქლორიდი, ქლოროვანი თუთია, $ZnCl_2$, თეთრი ჰიგროსკოპული კრისტალები, $t_{დნ}$ 322°C, $t_{დუღ}$ 722°C, სიმკვრივე 2900 *კგ/მ*^{3}, წყალში ხსნადია; მიიღება თუთიის ან მისი ჟანგის მარილმჟავაში გახსნით, აგრეთვე სხვა ხერხებით; იყენებენ ლითონთა რჩილვისას, მოსაჩითავად, კბილის ცემენტების დასამზადებლად და სხვ.

თუთის მავნებლები. თუთის ჭიჭინობელა. იმაგო.

თუთუბო (Rhus coriaria). ნაყოფიანი ტოტი.

თუთიის შენადნობები, თუთიის ფუძეზე დამზადებული შენადნობები, რ-ებიც შეიცავენ Al, Cu და Mg, აგრეთვე მინარევებს: Fe, Si, Pb, Sn, Cd, Ti და ა. შ.; თ. შ-ს აქვს კარგი მექან. და ტექნოლ. თვისებები, მაგრამ უფრო ადვილად იჟანგება, ვიდრე სუფთა თუთია. ნაკეთობათა დამზადების პროცესში ხშირად შენადნობი წონასწორულ მდგომარეობაში არ არის, ამიტომ მზა ნაკეთობაში მიმდინარეობს ბუნებრივი დაძველების პროცესი, იცვლება მისი ზომა, რაც თ. შ-ის დიდი ნაკლია. ამ ნაკლის შესამცირებლად და სიმტკიცის გასადიდებლად თ. შ-ს უმატებენ 0,03—0,1% Mg.

დანიშნულებისა და ტექნოლ. დამუშავების მიხედვით თ. შ. სხვადასხვა სახისაა: სამსხმელო შენადნობისაგან ჩამოასხამენ მანქანათა მცირე ზომის მოყვანილ ნაწილებს. კოროზიისაგან დასაცავად ნაკეთობას ფარავენ ნიკლით, ქრომით, ლაქებითა და საღებავებით. დეფორმირებად შენადნობებს უმეტესად თითბრის შემცვლელად იყენებენ, ანტიფრიქციულ შენადნობებს კი — სრიალის საკისრების დასამზადებლად. ისინი კალიანი შენადნობის (Б 83-ის) იაფი და მაღალხარისხოვანი შემცვლელებია. *ე. გიორგაძე.*

„თუთინამე“ (სპარს. „თუთიყუშის წიგნი“). სპარსულ-ტაჯიკური კლასიკური პროზის ძეგლი, ერთი სიუჟეტური ჩარჩოთი შემოფარგლული არაკების კრებული. არაკებს ჰყვება თუთიყუში, რათა გაართოს თავისი პატრონის ცოლი და არ მისცეს ქმრის ღალატის საშუალება. წყარო ინდურია — „შუკასაპტატი“ („თუთიყუშის სამოცდაათი მოთხრობა“). სპარს. ენაზე „თ.“ ლიტერატურულად დაამუშავა ინდოეთში მცხოვრებმა მწერალმა ზიაედინ ნახშაბიმ (XIV ს.). შემდგომში გავრცელდა მისი ხალხ. ვერსია „ჩეპელ თუთი“ („თუთიყუშის ორმოცი არაკი“). „თ.“ თარგმნილია მრავალ ევრ. და აღმოსავლურ ენაზე, მ. შ. — ქართულზეც (კრებ. „ბაღდადელი თვალთმაქცი“, 1967).

ა. გვახარია.

თუთის აბრეშუმხვევია (Bombyx mori), პეპელა ნამდვილი აბრეშუმხვევიების (Bombycidae) ოჯახისა. განვითარების ფაზებია: კვერცხი (გრენა), ჭია (მუხლუხი, მატლი), ჭუპრი, პეპელა. გრენის ფაზაში ჩანასახი ვითარდება. არამოზამთრე გრენა იმავე წელიწადს გვაძლევს ჭიას, ხოლო მოზამთრე — დიაპაუზის გავლის შემდეგ მომავალ წელიწადს. გრენიდან გამოსული ჭია მაშინვე იწყებს ჭამას, იზრდება და აგროვებს საკვებს მომდევნო ფაზებისათვის და აბრეშუმის პარკის გასაკეთებლად. 25—30 დღეს ცოცხლობს. ამ პერიოდში 4-ჯერ იცვლის კანს და 5 სხვადასხვა ასაკს გადის. იკვებება თუთის ფოთლით. ერთი ჭია სიცოცხლეში 20—25 *გ* ფოთოლს ჭამს. თ. ა-ს სხეული წაგრძელებულია, თითქმის ცილინდრული ფორმა აქვს, შეიცავს სეგმენტებს და შედგება თავის, მკერდისა და მუცლისაგან. მე-5 ასაკში ჭიის სქესის გარკვევა ადვილია: დედალს მუცლის ქვედა მხარეს, მერვე და მეცხრე სეგმენტზე, აქვს ოთხი პატარა ლაქა შუაში წერტილებით, რ-ებსაც იშივატის დისკოები ეწოდება. ჭია საძაფე (აბრეშუმგამომყოფი) ჯირკვლებიდან პირველივე ასაკიდან გამოყოფს აბრეშუმის ძაფს, ხოლო მე-5 ასაკში ჯირკვლები ინტენსიურად ეზრდება და სხეულის საერთო მასის 40%-ს აღწევს. ამის შემდეგ ჭია წყვეტს კვებას, ადის ცახზე და ახვევს პარკს. ეს პროცესი 3 დღეს გრძელდება. პარკში ჭია ჭუპრად იქცევა. ეს მეტამორფოზის ფაზაა. ჭუპრს თითისტარისებრი ფორმა აქვს, ჯერ ყვითელია, შემდეგ — მუქი ყავისფერი, 10—15 დღეს ცოცხლობს. მისგან გამოსული პეპელა ზრდასრული ფაზაა. პეპლის ფუნქციაა გამრავლება, ფრენის უნარი მას დაკარგული აქვს. მამალი უფრო აქტიურად მოძრაობს. პეპელა უმთავრესად მოთეთროა, მისი სხეული მთლიანად დაფარულია ქერცლით. დედალი პეპელა 500—700 გრენს დებს და 10—15 დღეს ცოცხლობს. საბჭ. მეაბრეშუმეობაში ფართოდ იყენებენ თ. ა-ს ჯიშურ სახესხვაობებს. ჯიშები განსხვავდებიან წარმოშობის ადგილის მიხედვით, ჭიის ფაზების ხანგრძლივობით, გრენის ზომით, შეფერილობით, პარკის სიდიდით, წონით, ფორმით, ფერით, მარცვლოვნებით და სხვ. გეოგრაფიული წარმომავლობის მიხედვით არის თ. ა-ს იაპ., ჩინ., ევრ., მცირეაზიური, კავკ. და სხვ. ჯიშები; ვოლტინურობის მიხედვით — მონოვოლტინური (იძლევა 1 თაობას), ბივოლტინური (იძლევა 2 თაობას) და პოლივოლტინური (იძლევა რამდენიმე თაობას). საქართველოში უმთავრესად გავრცელებულია ადგილ. გამოყვანილი თეთრპარკიანი ჯიშები: „იმერული“, „კახური“, „თბილნიიშ-3“, „ქართული“, „თბილისური“, „ჩინებული“, „ივერია“ და ძირითადად მათი ჰიბრიდები. მაგ., თ. ა-ს ჯიში „თბილისური“ დარაიონებულია 1972-იდან, მონოვოლტინურია, ახვევს მოგრძო-ოვალურ ოდნავ წელში გამოყვანილ პარკს, თვითონ ჭია ჭრელია. 1 *გ* მურიდან იღებენ 3,8—4,4 *კგ* პარკს. ძაფის სიგრძეა 1300 — 1400 *მ*. ჯიში „თბილნიიშ“-3“ 1966-იდან დარაიონებულია აღმ. საქართველოში. ჭია თეთრია, მონოვოლტინური, ახვევს ოვალური ფორმის პარკს. 1 *გ* მურიდან მიიღება 5,8—4,2 *კგ* პარკი. ძაფის სიგრძეა 1100—1200 *მ*.

ე. გოგელია. ნ. სანაძე. შ. ღვინეფაძე.



თუთის აბრეშუმხვევიას განვითარების ციკლი: I—კვერცხი (გრენა); II—ჭია (მუხლუხი, მატლი); III—ჭუპრი; IV—პეპელა.

თუთის აბრეშუმხვევიას დაავადებანი, აბრეშუმის პარკის მოსავლის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი არის თუთის აბრეშუმხვევიას პარაზიტული და ინფექციური დაავადებები. პარაზიტულ დაავადებათაგან მეაბრეშუმეობას ყველაზე დიდ ზიანს აყენებს პებრინი (ნოზემატოზი), რ-საც იწვევს პარაზიტი — ნოზემა (Nosema bombycis), სპოროვნების კლასის წარმომადგენელი. პებრინი გადამდები და მემკვიდრეობითი დაავადებაა. ამიტომ იგი შეიძლება გაჩნდეს ზოგჯერ ჭიის გამოკვების რომელიმე ფაზაში, სხვა შემთხვევაში კი გავრცელდეს დაავადებული პეპლის კვერცხიდან გამოჩეკილი დასენიანებული ჭიებით. დაავადების ნიშნებია: გრენიდან მერის გამოსვლის გახანგრძლივება, ჭიების დალუპვა პირველსავე ასაკში, ჭიების მურა შეფერილობა, ცუდად ჭამა, ზრდაში ჩამორჩენა, სხეულზე მოყავისფრო-მოშავო ლაქები და სხვ. ბრძოლის ღონისძიებანი: პებრინიანი პეპლებისაგან მიღებული გრენის მოსპობა; საჭიე ინვენტარის დეზინფექცია ფორმალინის 4%-იანი ხსნარით; საღი გრენის დამზადება ცელულარული, თერმული ან ბიომეთოდით.

აბრეშუმხვევიას ინფექციური დაავადებებიდან უფრო გავრცელებულია მუსკარდინი, ფლაშერი, სიყვითლე და სხვ. მუსკარდინს იწვევს სხვადასხვა სახეობის პარაზიტული სოკო. დაავადებულ ჭიებს სხეულზე უჩნდებათ მოშავო-მოყავისფრო ლაქები, კანის ცვლა ხელდება, მკვდარი ჭია ხმება, იფარება თეთრად სოკოს სპორებით, პარკი შერხეკისას თავისებურ მკვეთრ ხმას გამოსცემს, ნორმალურზე 2—2,5-ჯერ მსუბუქია. ბრძოლის ღონისძიებანი: საჭიეს დეზინფექცია ფორმალინით ან ქლორამინით, ჭიებზე ფუნგიციდური პრეპარატების შესხურება. ფლაშერი ანუ სიდამპლე ბაქტერიული დაავადებაა. ჭიები ავადდებიან მე-4—მე-5 ასაკში, ცახებზე ასვლისას და ხშირად 2—3 დღეში იღუპებიან. დაავადების სიმპტომებია კუჭის აშლილობა, ჭამის შეწყვეტა, მოუსვენარი მოძრაობა, გაშავება, პირიდან მურა ფერის სითხის წვეთა და სხვ. ბრძოლის ღონისძიებანი: დაავადების შენიშვნისთანავე საღი ჭიების გადაყვანა სუფთა საფენზე, თუთის ფოთლის ხარისხის კონტროლი და მუჭლუხების კვების რეჟიმის დაცვა. სიყვითლე ვირუსული დაავადებაა, რ-იც უმთავრესად ჭიასა და ჭუპრს აზიანებს. დაავადებული ჭია ჭამას წყვეტს, მოუსვენრად მოძრაობს, შესივებულია, კანი დაჭიმულია, ბრწყინავს, სუსტდება და ადვილად სკდება. გამოყოფილი მღვრიე სქელი სითხე ინფექციურია — დიდი რაოდენობით შეიცავს 3—5 *მკმ* ზომის ექვსწახნაგოვან პოლიედრებს. სხეული სწრაფად იხრწნება, შავდება. ბრძოლის ღონისძიებანი: საჭიეს და ინვენტარის დეზინფექცია, კვების დროს სანიტ. რეჟიმის დაცვა.

ვ. ოდიკაძე.

თუთის დაავადებანი, თუთის ხის ინფექციური დაავადებები. ინფექციურ დაავადებათაგან საქართველოში ყველაზე გავრცელებულია თუთის ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა, რ-ის სამშობლოდ იაპონია ითვლება. გვხვდება ჩინეთსა და კორეაშიც. სსრკ-ში პირველადაა აღნიშნული, ქუთაისში 1964 ამჟამადაც მხოლოდ დას. საქართველოშია. დაავადებისათვის დამახასიათებელია ფოთლების ძლიერი დეფორმაცია, დაკნინება, სიხუჭუჭე, დიდი რაოდენობით სუსტი ყლორტები, მუხლთშორისების შემოკლება, მცენარის ჩამორჩენა ზრდაში, ხმობა და სხვ. მეტ-ნაკლებად თუთის ყველა ჯიში ავადდება, განსაკუთრებით — „საქართველო“. ვრცელდება დაავადებული სარგავი, სამყნობი მასალით და მწუწნავი მწერით — თუთის ჭიჭინობელათი. თუთის ხუჭუჭა წვრილფოთლიანობას იწვევს მიკოპლაზმური ორგანიზმი, რ-იც აღმოაჩინეს 1967 დაავადებული თუთის ლაფანში და აგრეთვე დაავადების გადამტან ჭიჭინობელაში. ბრძოლის ღონისძიებანი: დაავადებისადმი გამძლე თუთის ჯიშების გაშენება; საღი სარგავი და სამყნობი მასალის შერჩევა; დაავადებული მცენარეებისა და გადამტანი ჭიჭინობელების მოსპობა. სოკოვან დაავადებათაგან აღსანიშნავია თუთის სოკო, რ-იც ახმობს მცენარეს და ამცირებს თუთის ფოთლების გამოსავლიანობას, რითაც საგრძნობლად ზარალდება მეურნეობა. იგი სხვა მერქნიან მცენარეებსაც აავადებს; საყურადღებოა აგრეთვე თუთის ფესვის სიდამპლე, რ-საც იწვევს მანჭკვალა სოკო. დაავადებული მცენარე ხმება. სოკოვანი დაავადების—ცილინდროსპორიოზისა და ნაცრის დროს ხმება მცენარის ფოთლები და ყლორტები, ფუზარიოზის დროს — ნერგები და ყლორტები. ბაქტერიულ დაავადებათაგან ძლიერ გავრცელებულია თუთის ხის ბაქტერიოზი — იწვევს ფოთლების ლაქიანობას, ტოტების ხმობას. თუთაზე სხვა დაავადებებიც გვხვდება, მაგრამ მათ მიერ გამოწვეული ზარალი შედარებით ნაკლებია.

მ. ჩადუნელი. ო. ქიზიყელაშვილი.

თუთისებრნი (Moraceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი ხეები და ბუჩქებია,

აშვიათად ბალახი. თითქმის ყველა შეიცავს რძეწყვენს. აქვთ მეტწილად ერთსქესიანი, ერთ- ან ორსახლიანი ყვავილები, რ-ებიც თავთავისებრ ან ქოლგისებრ ყვავილედებად არის თავმოყრილი. ყვავილსაფარი 4 შეზრდილი ან თავისუფალი ჯამის ფოთლისაგან შედგება, ზოგჯერ სრულიად არ არის. ნაყოფი კაკლუჭა ან კურკიანაა, ხშირად ურთიერთშეზრდილია ნაყოფედად. ოჯახი აერთიანებს 85-მდე გვარის 1500-ზე მეტ სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ძირითადად ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. თ-თა ოჯახიდან სსრკ-ში და კერძოდ, საქართველოში ველურად იზრდება *ლეღვი*, კულტივირებულია *თუთა*, მაკლურა და სხვ. თ-თა შორის ბევრია სამეურნეო მნიშვნელობის მცენარე; თუთის, ლეღვისა და *პურის ხის* ნაყოფი იჭმება; *რძის ხის* ნოყიერ და მოტკბო რძეწყვენს სვამენ; თუთის ფოთოლი აბრეშუმის ჭიის თითქმის ერთადერთი საკვებია; ოჯახი მოიცავს კაუჩუკისშემცველ (Ficus elastica და Castilloa-ს გვარის სახეობები), ძვირფასმერქნიან (ბრუსონეცია, მაკლურა და სხვ.) და შხამიან (*ანჩარი*) მცენარეებსაც.

თუთის მავნებლები, მწერები, რ-ებიც აზიანებენ თუთის ნარგაობებს საქართველოში. ამ მავნებელ მწერთა ფაუნას დაახლ. 115 სახეობა შეადგენს. მათგან ფართოდაა გავრცელებული თუთის ჭიჭინობელა, რ-იც მოდებულია დას. საქართველოს როგორც დაბლობ, ისე მთისწინა რ-ნებში ზ. დ. 500 *მ* სიმაღლემდე. მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მეაბრეშუმეობას. გადააქვს თუთის მიკოპლაზმური დაავადება — ხუჭუჭა წვრილფოთლიანობა I და II თაობის ნიმფისა და იმაგოს ფაზებში. დაავადება არ გადადის გადამტანის კვერცხებით. თუთის ჭიჭინობელას სასიცოცხლო ციკლი უშუალოდ დაკავშირებულია თუთის ხესთან, რ-ზეც იკვებება, ვითარდება და მრავლდება. იშვიათად ბინადრობს ბადრიჯანზე. საქართვ. პირობებში იძლევა 3—4 თაობას. იზამთრებს კვერცხის ფაზაში ახალგაზრდა ერთწლიანი ტოტების პარენქიმაში. ბრძოლის ღონისძიებანი; მოზამთრე კვერცხებზე 4%-იანი ზეთის ემულსიისა და 0,2%-იანი ფოსფამიდის კომბინირებული ნაზავის შესხურება ადრე გაზაფხულზე. თუთისა და ხეხილის ნარგაობებს აზიანებს აგრეთვე თუთის ფარიანა — მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. მდედრის სხეული (სიგრძე 0,8—1 *მმ*) დაფარულია თეთრი ფარით, მამრი ფრთიანია, ამ მავნებლის სამშობლოა ამერიკა, საიდანაც სარგავ მცენარეებთან ერთად გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში. სსრკ-ში პირველად აფხაზეთში აღმოჩნდა, მაგრამ არ გავრცელებულა და სსრკ-ში მავნებელ მწერად არაა ცნობილი. *დ. გიორგაძე.*

ნ. თულაშვილი. ზ. ჰაჯიბეილი.

თუთიყუშისნაირნი (Psittaciformes), ფრინველების რიგი. მათი სხეულის სიგრძე 9,5 *სმ*-იდან 1 *მ*-მდე მერყეობს, წონა 10 *გ*-იდან 1 *კგ*-ზე მეტია, შეფერილობა მკვეთრია, ჭარბობს ღია მწვანე ფერი. აქვთ კაუჭისებრი მასიური ნისკარტი, მოღუნულბრჭყალებიანი ღონიერი ფეხები, მე-4 თითი უკანაა მიბრუნებული და ძლიერ მოქნილია. ფრთები გრძელი და წვეტიანია. რიგში 315 სახეობაა. თ-ებს ყოფენ 2 ოჯახად: 1. ლორები ანუ ფუნჯიანები (Loridae), რ-თა ენის წვერი შეიცავს მრავალრიცხოვან ძაფისებრ დვრილს. ოჯახში 60 სახეობაა; 2. გლუვენიანები ანუ ნამდვილი თუთიყუშები (Psittacidae) აერთიანებს 255 სახეობას. თ. გავრცელებული არიან მეტწილად ტროპ. სარტყელში, თუმცა ამერიკაში აღწევენ ჩრდ. განედის 42°-სა და სამხრ. განედის 54°-ს. თ-თა უმეტესობა მეხეურია; ერთეულები (ნესტორი, ციანორამფუსი და სხვ.) ცხოვრობენ ველებსა და ნახევრად უდაბნოებში. ზოგიერთ თ-ს (ახალზელანდიური კაკაპო ანუ ბუსებრი თუთიყუში) დაკარგული აქვს ფრენის უნარი. თ. მონოგამური ფრინველებია. ბუდეს იკეთებენ ხის ფულეროებში, ქვებს შორის ნაპრალებში და სხვ. დედალი დებს 2—3 ან 5—8 თეთრ კვერცხს. კრუხობს მეტწილად დედალი; ინკუბაცია გრძელდება 3 კვირამდე. ბარტყი იჩეკება შიშველი და თვალაუხილავი. თ. იკვებიან მცენარეული (ნაყოფი, თესლი, ნექტარი), იშვიათად ცხოველური (მწერები) საკვებით. ახალ ზელანდიაში ნესტორი ხანდახან თავს ესხმის ცხვრებს. ზოგი თ. (არა, ჟაკო) მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მეურნეობას. თ. ავადდებიან ფსიტაკოზით (*ორნითოზით*), რ-იც შეიძლება ადამიანსაც გადაედოს. ლამაზი კაშკაშა შეფერილობისა და ხმის მიბაძვის უნარის გამო თ. ხშირად ჰყავთ გალიებში. *რ. ფორდანია.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 32

თუთუბო (Rhus), ფოთოლმცვივანი, იშვიათად მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. აქვს პატარა ერთ- ან ორსქესიანი ყვავილი, წითელი კურკიანა ნაყოფი. გვარის 150-მდე სახეობა გავრცელებულია სუბტროპ. და ნაწილობრივ ტროპ. ჰავის ზონებში. სსრკ-ში ველურად იზრდება თ-ს ერთი სახეობა—Rh. coriaria, რ-იც საქართველოშიც ფართოდაა გავრცელებული. იგი პატარა ხე ან ბუჩქია. გვხვდება ზ. დ. 1000 *მ*-მდე, მშრალ ქვიან ფერდობებზე და გამეჩხერებულ ბუჩქნარებში. მისი ფოთლები და ნორჩი ყლორტი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ფოთლების, ღეროს ქერქისა და ნაყოფისაგან მიიღება სხვადასხვა ფერის საღებავი. ნაყოფს მომჟავო გემო აქვს და საჭმლის საკაზმად იხმარება. მრავლდება თესლით და ფესვის ამონაყარით. თ-ს ზოგიერთი სახეობის მერქანი, ფოთოლი და ნაყოფი შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს. სსრკ-ში, კერძოდ, საქართველოში, კულტივირებულია რამდენიმე უცხოური სახეობა.

თუთუბოსებრნი (Anacardiaceae), ფარულთესლოვან ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. მარადმწვანე და ფოთოლმცვივანი ხეები და ბუჩქებია. ორსქესიანი, იშვიათად ერთსქესიანი ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედებად. ნაყოფი კოლოფი ან კურკიანაა, რ-საც სხვადასხვა გასავრცელებელი სამარჯვეი აქვს. ოჯახში გაერთიანებულია 80-მდე გვარის 600-მდე სახეობა, რ-ებიც ორივე ნახევარსფეროს ტროპ., სუბტროპ. და ნაწილობრივ ზომიერი ჰავის ზონებშია გავრცელებული. სსრკ-ში ამ ოჯახის 6 სახეობა იზრდება. საქართვ. მშრალ და თბილ რ-ნებში ბუნებრივადაა გავრცელებული 3 გვარი — *საკმლის ხე, თუთუბო* და *თრიმლი.* შავი ზღვის სანაპიროზე კულტივირებულია ერთი სამხრეთამერ. გვარი Schinus. თ-თა ოჯახში ბევრი სასარგებლო მცენარეა. მანგოს, აკაჟუს და ფსტის ნაყოფი და თესლი იჭმება; თუთუბო და კვებრახო (კებრახო) მთრიმლავ ნივთიერებებს შეიცავს; იაპ. თუთუბოს ქერქიდან მიღებულ წვენს ლაქის დასამზადებლად იყენებენ; თ-გან ბევრი შეიცავს ფისს, გუმფისს, საღებავ ნივთიერებებს, ნაწილი შხამიანია, ზოგს ძვირფასი მერქანი აქვს, ზოგს აშენებენ დეკორ. მცენარედ.

თუთხალია, ძვ. წ. II ათასწლეულში ანატოლიაში ფართოდ გავრცელებული საკუთარი სახელი, რ-საც ხშირად ატარებდნენ ხეთების მეფეები.

თ. II (ძვ. წ. XV ს.) ითვლება ერთ-ერთი ადრინდ. ხეთური დინასტიის დამაარსებლად, გაანადგურა ხალაფი (ჰალაბი) და ხანიგალბათი (ხური).

თ. III-ის (ძვ. წ. XV ს.) მმართველობის პირველ ხანებში ხათი პოლიტიკურად დაძაბუნებული იყო, მაგრამ მალე გაძლიერდა. *ბოღაზქოის არქივმა* შემოინახა თ. III-ისა და მისი მეუღლის ნიქალმათის სახელით შედგენილი ხეთური რიტუალი, რ-იც წყევლის „ავ ენას“.

თ. IV-ის დროს (ძვ. წ. 1250—1220) ხეთებმა დიდი წარმატება მოიპოვეს საგარეო პოლიტიკაში: შემოიმტკიცეს მცირეაზიული „ვასალური“ ქვეყნები, ილაშქრეს დასავლეთში (ასუვაში), სადაც გააქტიურდა ახიავა, მეგობრული ურთიერთობა განამტკიცეს ეგვიპტესთან, დაამყარეს კავშირი ასურეთთან, რ-იც ავიწროებდა ხეთების აღმ. პროვინციებს. დიდი გაელვნა მოიპოვეს ჩრდ. სირიაში (უგარითში), ხელშეკრულებები დადეს ამურუსთან, დათასასთან, პარალელურად მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, შექმნეს იაზილიკაიის კლდეზე ამოკვეთილი ხეთი მეფეებისა და ღვთაებების სკულპტურათა გალერეა.

თ. IV-ს ჰქონდა „სამყაროს მეფის“ ტიტული, თუმცა მისი მბრძანებლობის დასასრულს ხეთების სამეფო, შინა წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, დაცემის გზას დაადგა. *გ. გიორგაძე.*

თუიმაზი, ქალაქი ბაშკ. ასსრ-ში, მდ. უსენის (კამის აუზი) ნაპირზე, რკინიგზის სადგური. *ეოლგა-ურალის ნავთობაირის რაიონის* ნავთობის მრეწვ. დიდი ცენტრი. დაარსდა 1937 თუიმაზის ნავთობის საბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით. თ. ნავთობსადენების გადაკვეთის ცენტრია. აირის გადასამუშ., ტექ. ნახშირბადის, ქიმ. მანქანათმშ., გეოფიზ. მოწყობილობათა, სამედ. მინის, რკინა-ბეტონის ნაწარმთა და სხვა ქ-ნები, ბაშკ. მაუდის კომბინატი, ხორცისა და რძის კომბინატები, კარაქის ქ-ნა, ქაღალდის ფ-კა. საღამოს ინდუსტრ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი.

თუკიდიდე.

თუიუღი, თურქული კლასიკური ლექსის ფორმა. *არუდის* სისტემით დაწერილი ოთხსტრიქონნიანი, ექვსტერფიანი შეკვეცილი რამალი. სქემაა—∪——/—∪——/—∪—,რითმა — უმეტესად aaba, იშვიათად — abgb, aaaa. შეიცავს *თაჯნისს.* ჩვენამდე მოღწეული პირველი თ. ეკუთვნის *ბურჰანედინ სივასის* (XIV ს.).

თუკიდიდე (Thukydidēs) (დაახლ. ძვ. წ. 465/460/455—400/395), ბერძენი (ათენელი) ისტორიკოსი, წარჩინებული და მდიდარი ოჯახის შვილი. „ისტორიის მამის“ — ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე. სოფისტების მოწაფე და მიმდევარი. თ. დიდად აფასებდა იმ დროის ათენის პოლიტ. და კულტ. ცხოვრების სათავეში მდგარ პერიკლეს. იბრძოდა პელოპონესის ომში (ძვ. წ. 431 — 404). სტრატეგოსი იყო და ათენელთა ფლოტს მეთაურობდა თრაკიის სანაპიროს დაცვისას. დამარცხების შემდეგ (სპარტელებმა მიიტაცეს ამფიპოლისი) ძვ. წ. 424, ათენელებმა იგი სამშობლოდან გააძევეს 20 წლით. ექსორიაში ყოფნის დროს თ. თავის მამულში — თრაკიაში შეუდგა თხზულების — „ისტორიის“ წერას. თხზულება შედგება 8 წიგნისაგან და ეძღვნება პელო-

თუთიის შენადნობების ქიმიური შედგენილობა და დანიშნულება

შედგენილობა,* % (მასის მიხედვით)			დანიშნულება
Al	Cu	Mg	
3,5—4,3 3,5—4,5	— 0,6—1,2	0,02—0,06 0,02—0,06	წნევით ჩამოსხმული ნაკეთობებისათვის
9—12 8—11	4—5,5 1—2	0,03—0,06 0,03—0,06	საკისრებისათვის
— 0,06—0,60 3,5—4,5	0,8—1,2 — 0—3,5	0,01 0,01—0,06 0,02—0,10	გლინვით, წნეხით, ღრმა გამოჭიმვით მიღებული ნაკეთობებისათვის
22	1-მდე	0,1-მდე	რთული ფორმის ნაკეთობებისათვის, რომლებსაც ღებულობენ ზვავლასტიკურ მდგომარეობაში მყოფი შენადნობის პნევმოდაწალობებით.

* დანარჩენი — თუთია.



ა. თულაშვილი.

 მ. თულებაევი.

თულუხი.

პონესის ომების ისტორიას. პირველი წიგნი, ე. წ. „არქეოლოგია", როგორც შესავალი ნაწილი, მიმოიხილავს საბერძნ. ისტორიას უძველესი დროიდან პელოპონესის ომამდე. თხრობა წყდება ომის დაწყებიდან მე-20 წლის (ძვ. წ. 411) ამბებით; ჩანს, ავტორს სიკვდილმა მოუსწრო და თხზულება დაუმთავრებელი დარჩა (გააგრძელა ქსენოფონტმა). თ. ითვლება ისტორიის კრიტ. შესწავლისა და გააზრების (ანუ მეცნიერული ისტორიის) ფუძემდებლად. წინარე ისტორიკოსთაგან (ლოგოგრაფოსები, ჰეროდოტე) განსხვავებით, იგი საისტ. თხზულების მიზანდასახულობად თვლის არა „ამოდ საკითხავი" და „ამოდ სასმენი" ამბების თხრობას, არამედ „ჭეშმარიტების ძიებას". ყოველი ფაქტის დასადგენად კრიტიკულად შეისწავლის შესაბამის ისტ. მასალას („წყაროს"). თ. პირველი შეუდგა ომის მიზეზებისა და საბაბის ძიებას. პირველი ისტორიკოს-რაციონალისტია, რ-მაც უარყო ისტ. მოვლენებში (ბუნების მოვლენებშიც) ღმერთის მონაწილეობის „ფაქტი" (თუმცა ღმერთს არ უარყოფდა). თ-მ პირველმა დაძებნა ისტორიულ, პოლიტ. მოვლენათა ეკონ. და სოც. საფუძვლები. იგი საკუთარი თხზულების მნიშვნელობას თავად აფასებდა და მას „მარადიულობის მონაპოვრად" მიიჩნევდა. პოლიტ. მრწამსით თ. დემოკრატიისა და ოლიგარქიის „შერწყმა-შერევის" პოზიციაზე იდგა.

თხზ.: Historiae, ed. C. Hude, v. 1—2, Lipsiae, 1908—13; История, т. 1—2, М., 1915.

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი ა., ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა, თბ., 1963; Б у з е с к у л В. П., Введение в историю Греции, 3 изд., П., 1915; F r i t z K. von, Die griechische Geschichtsschreibung, Bd. 1, B., 1967.

ლ. სანიკიძე.

თულარი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში (იორმუღანლოს სოფსაბჭო), ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 450 *მ*, საგარეჯოდან 43 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. ივრის მეევნახეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ლამბალოში (6 *კმ*).

თულაშვილი ანა ივანეს ასული (24. II. 1874, თბილისი,—27. V. 1956, იქვე), ქართველი საბჭ. პიანისტი, პედაგოგი, ქართ. საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941), ა. მიზანდარის მოწაფე. 1894-იდან სწავლობდა პარიზის კონსერვატორიაში პროფ. ლ. დიმერთან. 1903-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში, მონაწილეობდა კონცერტებში. 1917-იდან თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1925-იდან — პროფესორი, პირველი ქართვ. პროფესორი ქალი). თ-მა მცირეწლოვანთათვის გამოიგონა „საბავშვო პედალი" (1929). მოწაფეები: რ. კერერი, მ. როგოვსკაია, თ. ამირეჯიბი, ე. ექსანიშვილი, გ. მაჭუტაძე, გ. ქავთარაძე, ვ. შიუკაშვილი, მ. ჩხეიძე, ო. ბარამიშვილი და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ე ქ ს ა ნ ი შ ვ ი ლ ი ე., ანა თულაშვილი, «საბჭოთა ხელოვნება», 1976, № 3; ვ ა ჩ ნ ა ძ ე მ., ნარკვევები ქართული საფორტეპიანო მუსიკის ისტორიიდან, თბ., 1973; კ ი ლ ა ძ ე ნ., ანა თულაშვილი, «საბჭოთა ხელოვნება», 1969, № 1.

ე. ექსანიშვილი.

თულაშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე (6. XI. 1834, სოფ. ზირბითი, ახლანდ. თეთრი წყაროს რ-ნი, — 9. XII. 1910, თბილისი), ქართველი ჟურნალისტი, პუბლიცისტი. 1861-იდან დაუახლოვდა ი. ჭავჭავაძეს. თავისი წვლილი შეიტანა ჟურნ. *„საქართველოს მოამბისა"* და გაზ. *„დროების"* დაარსებაში. თანამშრომლობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში (*„ივერია"*, *„მოამბე"* და სხვ.), სადაც აქვეყნებდა კრიტ.-პუბლიც. წერილებს სახ. განათლების, ისტ. და ჟურნალისტიკის სხვადასხვა საკითხზე. თ. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, ამაგი დასდო მუდმივი ქართ. თეატრის აღდგენის საქმეს.

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ა., საქართველოს მოამბე. 1863—1963, თბ., 1963.

ნ. ალანია.

თულაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე (21. VIII. 1863, თბილისი, — 20. II. 1930, იქვე), ქართველი ინჟინერ-მშენებელი და პედაგოგი. დაამთავრა ნიკოლოზის სამხ.-საინჟინრო აკადემია პეტერბურგში (1890). პრაქტ. და მეცნ. მუშაობას ეწეოდა მოსკოვში (1896—1921). 1921 მიიწვიეს თბილ. უნ-ტში პოლიტექ. ფაკ-ტის დაარსებასთან დაკავშირებით (გაიხსნა 1922 წ. 16 იანვ.). კითხულობდა სამშენებლო სამუშაოთა, სამოქალაქო ხუროთმოძღვრების, ფუძე-საძირკვლებისა და გათბობა-ვენტილაციის კურსებს. თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ხუროთმოძღვრული დარგის ორგანიზაციასა და პირველ ინჟინერ-მშენებელთა აღზრდაში.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., კვალი განათლებული, თბ., 1975; ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1918—1928, [ტ.] 1, ტფ., 1928.

ვ. ბერიძე.

თულეგაევი მუკან თულეგაის ძე [28. II (13. III). 1913, ს. ყარაჩაღანი, ალმა-ათის ოლქი, — 2. IV. 1960, ალმა-ათა], ყაზახი საბჭ. კომპოზიტორი, სსრკ სახ. არტისტი (1959). 1951 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ნ. მიასკოვსკის საკომპოზიციო კლასი). ნაწარმოებები: ოპერები „ამანგელდი" (1945, თანაავტორი ე. ბრუსილოვსკი) და „ბირჟანი და სარა" (1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949); კანტატა „კომუნიზმის ჩირაღდნები" (1951); სიმფ., ვოკალური და სხვა ნაწარმოებები. თ. ყაზ. სსრ სახელმწ. ჰიმნის ავტორია (ე. ბრუსილოვსკისა და ლ. ჰამიდისთან ერთად). დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენით.

თულიუმი (Thulium), Tm, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი, მიეკუთვნება *ლანთანოიდებს*. ატ. ნომერი 69, ატ. მასა 168,9342, $t_{\text{დ}}$ 1545°C, სიმკვრივე 9330 *კგ/მ*³. ბუნებრივი თ. შედგება ერთი ^{169}Tm სტაბილური იზოტოპისაგან. თ. ღია-ვერცხლისფერი ლითონია. ნაერთებში სამვალენტოვანია.

თულუხი (თურქ. ტიკი), წყლის საზიდავი რუმბები. ამზადებდნენ ხარის ან კამეჩის ტყავისაგან, რ-საც ქვემოდან სახელოსავით ჰქონდა მიკერებული წყლის ჩამოსასხმელი. იტევდა 4—5 ფუთ წყალს და ყულფებით იყო დამაგრებული ცხენის ან სახედრის კეხზე. წყალს თ-ში პირიდან ასხამდნენ, ჩამოსხმა კი „სახელოს" საშუალებით ხდებოდა. 1893-იდან ქალაქის თვითმმართველობამ თბილისში ტყავის თ-ები ხის კასრებით შეცვალა, მაგრამ სახელწოდება მაინც ძველი შემორჩა. წყლის მზიდავს თულუხჩი ან მეთულუხჩე ერქვა.

ლიტ.: გ რ ი ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოემა, ტფ., 1927; ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.

გ. ჯალაბაძე.

თულქითეფეს ბრძოლა 1752, ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარსა და შაქის სახანოს ლაშქარს შორის თულქითეფეს ველზე, ყაზახ-შამშადილის საზღვარზე (ახლანდ. აზერბ. სსრ). ქართველთა ჯარმა ერეკლე II-ის სარდლობით დაამარცხა შემოჭრილი მტერი და დიდად დაზარალებული განდევნა საქართვ. საზღვრებიდან. თ. ბ-ის შედეგად დაიშალა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მაპმადიანურ სახანოთა კავშირი და საქართველოს უპირატესობა მთელ ამიერკავკასიაში განმტკიცდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

თუმანალთი, იხ. *მალიგორად გაყოფა.*

თუმანი, 1. ფულის ერთეული. მონღოლურად 10000-ს ნიშნავდა და 10000 დინარს უდრიდა. XVII ს. დასაწყისში თ. 10 მინალთუნს შეიცავდა, თვით მინალთუნი კი 5 აბაზს უდრიდა და 1000-ით აღინიშნებოდა. ქართული თ. შეიცავდა 10000 ნახევარდრაქმიან სპილენძს. რაოდენობრივი შემადგენლობით ქართული თ. მონღოლურისგან არ განსხვავდებოდა, მაგრამ მონღ. თ-ის ძირითადი ერთეული იყო ოქროს დინარი, ქართული თ-ისა კი— ნახევარდრაქმიანი სპილენძი. 2. XVIII—XIX სს. ირანული ოქროს მონეტის სახელწოდება. უდრიდა 3 მან. (3 მინალთუნი). 3. თ. ამჟამად 10 მანეთის აღმნიშვნელად იხმარება.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგნ. 3, ნაკვ. 3 — ქართული საფასსაზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925.

ი. ჯალალოღლი.

თუმანიანი ჰოვანეს თათევოსის ძე [7 (19). II. 1869, სოფ. დსეღი, ლორეს მაზრა, ახლანდ. თუმანიანის რ-ნი, — 23. III. 1923, მოსკოვი], სომეხი მწერალი და საზ. მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო. შემდეგ ჯალალოღლის (ახლანდ. სტეფანავანი) ოთხკლასიან სასწავლებელში და თბილ. ნერსესის სემინარიაში სწავლობდა (უკანასკნელი ვერ დაამთავრა უსახსრობის გამო). სწავლას მოწყურებულმა თვითგანვითარებას მიჰყო ხელი. 1886 გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი ადრინდ. ნაწარმოებებია „ძაღლი და კატა", „უიღბლო ვაჭრები" (ორივე 1886). თ. მრავალმხრივი შემოქმედი იყო. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ბალადებს. მის ნაწარმოებებში ასახულია სომხ. სინამდვილისთვის დამახასიათებელი სოც.-ფსიქოლ. კონფლიქტები, ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სომეხი ხალხის წარსული და აწმყო. მისი საუკეთესო პოემებია „ანუში" (1890, გამოქვეყნდა 1892), „მარო" (1887, გამოქვეყნდა 1892), „თმოგვის ციხის აღება" (1902, გამოქვეყნდა 1905), სომხ. საგმირო თქმულებების საფუძველზე შექმნა პოემა „დავით სასუნცი" (1902). ფართოდაა ცნობილი თ-ის მიერ სომხ. და აღმოსავლური ლეგენდების სიუჟეტებზე შექმნილი მრავალი ბალადა და ზღაპარი („ერთი წვეთი თაფლი", გამოქვეყნდა 1909; „გულადი ნაზარა", 1908, გამოქვეყნდა 1912 და სხვ.). თ-ის მოთხრობები („გიქორი", 1895, გამოქვეყნდა 1907 და სხვ.) სომხ. პროზის საუკეთესო ნიმუშებია. მათში მართლადაა გადმოცემული გლეხკაცის ფსიქოლოგია. თ. ოპტიმისტი მწერალი იყო. სწამდა თავისი სამშობლოსა და მშრომელი ხალხის ნათელი მომავალი. იგი ქართვ. და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობის თავდადებულ და მგზნებარე დამცველად გამოდიოდა. ამ თემაზე შექმნა მრავალი ლექსი — „შერიგება" (1893), „საქართველოს შესახებ" (1916), „საქართველოს სული" (1919), „საქართველოს პოეტებს" (1919) და სხვ. თ-ის ნაწარმოებები თარგმნილია საბჭ. კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. მისი არაერთი ნაწარმოები თარგმნა ქართულად ი. გრიშაშვილმა (ოვ. თუმანიანი, რჩეული ნაწერები, თბ., 1924).

თხზ.: Երկերի ժողովածու, հ. 1—6, Ե., 1940 — 51; հ. 1—4, Ե., 1969; რჩეული ნაწერები, თბ., 1956; ლექსები და პოემები, თბ., 1969.

ლიტ.: ა რ ვ ე ლ ა ძ ე ბ., ოვანეს თუმანიანი და საქართველო, თბ., 1969; ლ ა ი შ ვ ი ლ ი ნ., ოვანეს თუმანიანი ქართულად (ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი), თბ., 1973; Ганаланян О. Т., Очерки армянской поэзии XIX—XX веков, 2 изд., Ер., 1964.

ბ. არველაძე.

თუმანიშვილები, საქართველოს მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრების გვარი. ზ ა ქ ა რ ი ა — XV ს-ში გიორგი VIII-ისა და კონსტანტინე მეფის კარის მდივან-

მწიგნობარი. ნ ა ს რ ი — XVII ს. დასაწყისში ლუარსაბ II-ის კარის მწიგნობარი. ბ ი რ თ ვ ე ლ ი — XVII ს. II ნახევარში როსტომ მეფის მდივან-მწიგნობარი, გიორგი XI-ის კარზე მოღვაწეობდნენ ძმები ზ ურ ა ბ ი და ს უ ლ ხ ა ნ ი. მათი შვილები და შვილიშვილები იყვნენ: გ ი ვ ი ზ ურ ა ბ ი ს ძ ე, დ ა ვ ი თ გ ი ვ ი ს ძ ე, შ ი ო მ ს უ ლ ხ ა ნ ი ს ძ ე, ს უ ლ ხ ა ნ შ ი ო მ ი ს ძ ე და სხვ. ამათგან ყველაზე ცნობილია გივი *თუმანიშვილი*. მისი ნამუშევრებია S — 424, კრებული; H—3061, ვეფხისტყაოსანი; Q — 164, ვახტანგის სამართალი, (ხელნაწერთა ინ-ტი). XVIII ს-ში მოღვაწეობდნენ გ ი ო რ გ ი ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ძ ე, გ ო რ ჯ ა ს პ ი, ს უ ლ ხ ა ნ ი და მ ა ნ უ ჩ ა რ ი, პ ა პ უ ა ი ე ს ს ძ ე; ერეკლე II-ის კარზე მდივნად იყვნენ ი ო ს ე ბ ი და ე გ ნ ა ტ ე ბ ა ი ნ დ უ რ ი ს ძ ე (1746—1820). ეგნატე დახელოვნებული კალიგრაფი ჩანს, ასევე საინტერესო კალიგრაფია მისი შვილი ი ე ს ე. ეგნატეს შვილები იყვნენ აგრეთვე დავით თუმანიშვილი და პოეტი გიორგი თუმანიშვილი, თ-ის გვარის კიდევ ბევრი წარმომადგენელი იღვწოდა ქართ. კულტურის ამ სარბიელზე.

თუმანიშვილი ავთანდილ ბირთველის ძე (1795 — გ. წ. უცნობია), ქართველი მწერალი. მოღვაწეობდა რუსეთში, დაახლოებული იყო იქ მყოფ ქართველ ბატონიშვილებთან, რ-თა დავალებითაც დაწერა ქ. გორის ისტორია. ძათივე დაკვეთით რუსულიდან გადმოთარგმნა „ლეოლრაფია და ბუნებითი ისტორია ასურეთისა" (ხელნ. H—2171). წერდა სატირულ ლექსებს, რ-ებიც დაცულია ხელნაწერების სახით (H—2150).

თხზ.: Описание грузинского города Гори, წგნ.: Б у х н и к а ш в и л и Г., Гори. Исторический очерк, Тб., 1947.

ლიტ.: ბ უ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ., ავთანდილ თუმანოვი და მისი წიგნი „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა", «ლიტერატურული საქართველო», 1939, № 28; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი გივი ზურაბის ძე, XVII—XVIII სს. ქართველი პოეტი და კალიგრაფი. 1688—1721 იყო ერეკლე I-ის, არჩილ II-ის, ლევან ბატონიშვილისა და ვახტანგ VI-ის კარის მდივან-მწიგნობარი. 1701—05 არჩილ II-ის დავალებით გადაწერა „არჩილიანი" (S—425). 1721 ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილთან ერთად აწერა საბარათიანო. მისი ლექსები დაცულია ხელნაწერების (S—424, Q—548) სახით. თ-ს ეკუთვნის ვახტანგ VI-ის ეპიტაფია.

თხზ.: აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხთისა, შედგენილი მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს, წგნ.: მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1907.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი, «თსუ შრომები», 1951, ტ. 43. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე (1774—1837), ქართველი პოეტი და მწიგნობარი. 1790-იდან იყო ჯერ ერეკლე II-ის, მერე გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი. მოგვიანებით იყო რუსეთის სახელმწიფო სამსახურში, 1820 მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. ლიტ. ძეგლთა შეკრებისა და გამრავლების საქმეში. მისი დავალებით გადაიწერა მრავალი ქართ. ხელნაწერი. თვითონაც კალიგრაფი იყო. თ. ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. იგი არის აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ინტერპოლატორი.

თხზ.: იხ: მ ი ქ ა ძ ე გ., გიორგი თუმანიშვილი, კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1962; რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1952. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი გიორგი იასეს ძე (1831—1897), რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი (1887). სამხ. სამსახური ადრე დაიწყო. რუს.-ოსმ. ომის (1877—78) დროს თ. კავკასიის პირველ მესანგრეთა ათასეულს მეთაურობდა, ჰქონდა პოლკოვნიკის ჩინი. შემდგომ მსახურობდა რუს. სხვადასხვა გუბერნიაში.

თუმანიშვილი გიორგი მიხეილის ძე [27. I (8. II). 1854, თბილისი, — 26. I. 1920, იქვე], ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. 1871 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1875 — ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი სამართლის კანდიდატის წოდებით. ერთხანს მსახურობდა ფოთის სასამართლო უწყებაში, შემდეგ — მეფისნაცვლის კანცელარიაში საგლეხო განყ-ბის უფროსად. 1891 გადადგა სამსახურიდან. იმავე წელს ნ. *ნიკოლაძისაგან* შეიძინა გაზ. „*ნოვოე ობოზრენიე*", რ-საც ვ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად სცემდა 1903-მდე. თ-ის სტატიები და წერილები იბეჭდებოდა იმდროინდელ პროგრ. პრესაში; თანამშრომლობდა „*დროებასა*" და „*იბერიაში*". 1878—79 გამოსცა ქართ. „ალმანახი". შექმნა ქართ. საგამომცემლო ამხანაგობა, რ-მაც პირველად გამოსცა წიგნად ნ. ბარათაშვილისა და სხვა ქართვ. პოეტების თხზულებანი. თ-ს სხვადასხვა საკითხზე გამოცემული აქვს მრავალი ნაშრომი, მ. შ. რამდენიმე საცნობარო წიგნი და „დახასიათებანი და მოგონებანი" იმდროინდელ ლიტ. და პოლიტ. მოღვაწეებზე. მონაწილეობდა კაკკასიაში საერობო დაწესებულებათა და თბილ. პოლიტექნიკუმის დაარსებაში. იყო კავკასიისმცოდნეობის კურსებისა და საზ. კლუბების ორგანიზატორი. თ. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. თეატრის საქმიანობაში. იყო. ქართ. დრამატული ამხანაგობის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

ლიტ.: ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი მ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938.

თუმანიშვილი გიორგი პავლეს ძე [19 (31). X. 1872, ქუთაისი, — 1937], ქართველი ინჟინერი, რკინიგზების მშენებელი. დაამთავრა პეტერბ. მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი (1896). მუშაობდა თბილის—ერევნის რკინიგზის ხაზის მშენებლობაზე (1896—99), იყო ამ ხაზის საექსპლუატაციო უბნის უფროსი (1899—1902), ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოს ინჟინერი (1906—18), კახეთის რკინიგზის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე (1912—15), შემდგომ კი ამ გზის მმართველი (1915—18), საქართვ. გზატკეცილების სამმართველოს უფროსი (1918—19), კახეთის რკინიგზის დირექტორი და ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოს კონსულტანტი (1919—25), ნატანებ—ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის მთავარი ინჟინერი (1922—23), სენაკ—გაგრის რკინიგზის მშენებლობის მთავარი ინჟინერი (1925) და სხვ. 1934 მიენიჭა შრომის გმირის საპატიო წოდება.

თუმანიშვილი გრიგოლ (გივი) დიმიტრის ძე (დ. 1Ი. VIII. 1925, თბილისი), ქართველი საბჭ. ბიოლოგი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე. (1979). საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზიკის (1956—66), შემდეგ კი (1966-იდან) ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის განყ-ბის (1973 განვითარების ბიოლ. განყ-ბად იქნა რეორგანიზებული) ხელმძღვანელია. 1969-იდან თბილისის სახელმწ. უნ-ტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის პროფესორი. თ-ის მეცნ. გამოკვლევები მოიცავს განვითარების ბიოლ. საკითხებს (უჯრედების დიფერენცირება, ზრდა, ურთიერთქმედებისა და რეგულაციის პროცესები ცხოველური ორგანიზმების ონტოგენეზში და რეგენერაციის დროს).

თუმანიშვილი დავით ეგნატეს ძე (1780—გ. წ. უცნობია), ქართველი პოეტი და კალიგრაფი. მოღვაწეობდა რუსეთში. 1826 მიიღო ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი. თ-ის შემოქმედებას აშუღური პოეზიის დაღი აზის. თემატიკურად მისი ლექსები ერთფეროვანია, ძირითადია სატრფიალო მოტივი. თ-ს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართ. ლიტ-რის პოპულარიზაციის საქმეში. მან გადანუსხა და მოკაზმა მრავალი ქართ. ხელნაწერი.

ლიტ.: მ ი ქ ა ძ ე გ., დავით თუმანიშვილი, «ლიტერატურული ძიებანი», 1963, [ტ.] 14. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი დიმიტრი იოსების ძე (დ. წ. უცნობია, — 1821), ქართველი პოეტი. მდივნად იყო ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის კარზე. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტ. ურთიერთობის დამყარებაში. თ-ის პოეზიას ბესიკის ლირიკის გავლენა ატყვია. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია გრძნობის სიცხოველე, სევდიანი განწყობილება, მწიგნობრული, შაღალფარდოვანი სტილი, განყენებული სახეებისა და ცნებების სიუხვე, უცხო ლექსიკის გამოყენება. მასვე ეკუთვნის სახოტბო და ფილოს.-რელიგ. ხასიათის ლექსები. თ-ის ლექსი „ახალ აღნაგო" პოპულ. სიმღერად იქცა, ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ა. პუშკინზე, რ-მაც ეს ფაქტი აღნიშნა თხზულებაში „მოგზაურობა არზრუმში". თ-ის სიმღერა ნოტებზე გადაიტანა ზ. ფალიაშვილმა.



Დ. თუმანიანი.

თხზ.: ლექსები, მ. ხელთუბნელის რედ., თბ., 1938; [წიგნში] რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

ლიტ.: ლ ე ო ნ ი ძ ე გ., ალ. პუშკინი და ქართული სიმღერა, კრ.: ა. ს. პუშკინი საქართველოში, თბ., 1938. *გ. მიქაძე.*

თუმანიშვილი თინათინ ილიას ასული (1892, სიღნაღი, — 1967, თბილისი), ქართველი საბჭ. პედაგოგი. საქ. სსრ დამს. მასწავლებელი (1960). ავტორია სახელმძღვანელოებისა სკოლამდელთათვის: „ბუნება და შრომა" (1933, თანაავტორი პ. ჭანიშვილი), „სიხარული, ქართული ანბანი" (1945), „მოძრავ წესებიან თამაშობათა კრებული" (1941), „თვლა ანგარიში", წგნ. 1—3 (1931, თანაავტ. თ. ერისთავი), „წინადადება" (1931, თანაავტ. თ. ერისთავი). მასვე ეკუთვნის საბავშვო მოთხრობები „წითელ არმიელობანას თამაში" (1942), „ჩემი ბოსტანი" (1945), „ნაცნობები" (1943) და სხვ. თ-ის ინიციატივით დაარსდა თბილისში სათამაშოების მუზეუმი (ერთი უმდიდრესთაგანი საბჭოთა კავშირში), რ-ის პირველი დირექტორი თვითონ იყო.

თუმანიშვილი მიხეილ ბირთველის ძე [19 (31). V. 1818, სოფ. ხელთუბანი, გორის რ-ნი, — 2 (14). II. 1875, თბილისი], ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრ. კრიტიკოსი, ეთნოგრაფი. სწავლობდა თბილ. I გიმნაზიაში (1831—36). 1837-იდან სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობაზე იყო. თ-ს XIX ს. ქართ. ლიტ-რისა და ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი ლირ. ლექსები ესადაგება იმ დროის პროგრ. იდეებსა და განწყობილებებს. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ნ. ბარათაშვილთან ერთად მონაწილეობდა პოეზიის „ანთოლოგიის" შედგენაში (1833, გადაწერილია მისი ხელით), ხელმძღვანელობდა ხელნაწერი ჟურნ. „*თბილისის გიმნაზიის ყვავილის*" გამოცემას (1835, რუს. ენაზე). 1857-იდან მოლაყბის ფსევდონიმით ჟურნ. „ცისკარში" იბეჭდება მისი ცნობილი ფელეტონები „სალაყბო ფურცელი". თარგმნა ა. პუშკინის „ბახჩისარაის შადრევანი", „კავკასიის ტყვე" და სხვ.

მ. ი. თუმანიშვილი.

ი. თუმანოვი.

თუნგი. ხევსურეთი.

თუნგი. ახალციხ.

თ. სამართლიანად ითვლებოდა XIX ს. ქართ. თეატრის პირველ კრიტიკოსად. მის წერილებში, რ-ებიც დაბეჭდა გაზ. *„ქავკაზში“*, ჟურნ. *„ცისკარსა“* და გაზ. *„დროებაში“*, მოცემულია გ. ერისთავის თეატრის დაარსების ისტორია, მსახიობების დახასიათება, განხილულია პიესები. ყურადღებას იმსახურებს თ-ის წერილები და შრომები ქართ. ეთნოგრ. დარგში: „თელეთობა“ (1835), „თბილისის გუბერნიის აღწერილობა (ეთნოგრაფიული ნარკვევი)“, „ხიზანთა მდგომარეობა საქართველოში“ (რუს. ენაზე) და სხვ. თ. აქტ. მონაწილეობას იღებდა კავკ. მუზეუმის ეთნოგრ. კაბინეტისა და რუს. გეოგრ. საზ-ბის განყ-ბის მუშაობაში. ს. ჯანაშიას. სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში დაცულია თ-ის მიერ 1854 შეგროვილი ხევსურული კოსტიუმები და იარაღის კოლექციების ნაწილი, მათი აღწერილობა.

ლიტ.: ურუშაძე ნ., მიხეილ თუმანიშვილი (თეატრალური კრიტიკოსი), თბ., 1978; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969; ხელთუბნელი მ., სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938.

თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე (დ. 6. II. 1921, თბილისი), ქართველი საბჭ. რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1961). სკკპ წევრი 1943-იდან. 1949 დაამთავრა თბილ. რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (გ. ტოვსტონოგოვის კლასი). 1949—71 მუშაობდა რუსთაველის თეატრში რეჟისორად, 1965—66 მთავარ რეჟისორად. 1971—75 იყო საქართვ. ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორი, 1975-იდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს მთავარი რეჟისორია. 1949-იდან თეატრ. ინ-ტის პედაგოგია (1973-იდან პროფესორი). თ-ის დადგმები გამოირჩევა მკაფიო თეატრ. ფორმით, ემოციურობით, ლაკონიზმით, დახვეწილი გემოვნებით, მაღალი პროფ. კულტურით. რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!“ (1951), ჯ. ფლეჩერის „ესპანელი მღვდელი“ (1954), კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“ (1958), გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (1963). ჟ. ანუის „ანტიგონე“ (1968), ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (1969), ა. ჩხაიძის „ხიდი“ (1970) და სხვ. თეატრ. ინ-ტში დადგმული სპექტაკლისათვის „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ (ა. ფადეევის მიხედვით, 1975) მიენიჭა საქართვ. ლენინური კომკავშირის პრემია (1976). თ-მა თავისი შემოქმედებითი გამოცდილება განაზოგადა წიგნში „სანამ რეპეტიცია დაიწყება“ (თბ., 1977) და რიგ საჟურნალო ნარკვევებში. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: კიკნაძე ვ., ქართველი რეჟისორები, წგნ. 2, თბ., 1970; მუმლაძე დ., თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973; ურუშაძე ნ., ძიებისა და გამარჯვების გზით, «საბჭოთა ხელოვნება», 1960, № 10. *თ. ჯანელიძე.*

თუმანიშვილი სულხან გორჯასპის ძე, XVIII ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1787—93 იყო საქართვ. წარმომადგენელი რუს. სამეფო კარზე. ცდილობდა რუს.-ოსმ. 1787—91 ომის შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებაში გაეთვალისწინებინათ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესები. მომავალ საზავო ხელშეკრულებაში გაეთვალისწინებინათ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესებიც. მართლაც იასის ზავით (1791) ოსმალეთი პირობას დებდა, რომ ახალციხის საფაშოს ქართ. მოსახლეობას თურქეთის მხრიდან არავითარი საშიშროება არ ელოდა. *გ. აკოფაშვილი.*

თუმანიშვილ-ფერეთელი ანასტასია მიხეილის ასული [25. VIII (6. IX). 1849, თბილისი, — 7. II. 1932, იქვე], ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. თბილისში დაამთავრა ჯერ ფავრის პანსიონი, შემდეგ ამიერკავკ. კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1865). იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტ. წევრი, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა“ და ქალთა საზ-ბა „განათლების“ დამაარსებელი. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საამაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში. 1883 ჟურნ. *„ნობათში“* თანამშრომლობდა. 1890 დააარსა ჟურნ. *„ჯეჯილი“*, რ-მაც უდიდესი როლი ითამაშა ქართ. საბავშვო ლიტერის განვითარებაში. იყო ჟურნ. „კვალის“ თანარედაქტორი.

თ.-ფ-ის პირველი თარგმანი (ა. დოდეს მოთხრ. „მარშლის გულმტკივნეულება“) დაიბეჭდა 1876, პირველი ორიგინ. მოთხრ. „მამის მსხვერპლი“ — 1880. მას ეკუთვნის ორიგინ., ნათარგმნი და გადმოკეთებული საბავშვო მოთხრობები (კრებულები: „მოლაღური“, 1887; „ხუთი ამბავი“, 1888; „კონა“, 1923; „ცხოვრების გამჭრიახობა“, 1924; „ყვავილი“, 1926 და სხვ.).

თხზ.: [წიგნში] ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი, შედგ. ა. ღვინიაშვილის მიერ, თბ., 1959.

ლიტ.: ხელთუბნელი მ., საბავშვო ლიტერატურის მოამაგის ანასტასია თუმანიშვილი-ფერეთელის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1941. *ნ. ალანია.*

თუმანოვი (თუმანიშვილი) იოსებ მიხეილის ძე [დ. 2 (15). I. 1909, თბილისი], საბჭ. რეჟისორი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1964). სკკპ წევრი 1956-იდან. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში 1923. დაამთავრა დრამ. კურსები ი. ზავადსკის ხელმძღვანელობით (1929; იყო თეატრ-სტუდიის მსახიობი). 1938—46 კ. სტანისლავსკის სახ. საოპერო თეატრის (1941-იდან კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს. თეატრი) მთავარი რეჟისორი. აქ დადგა ოპერები: მოკროუსოვის „ჩაპაევი“ (1943), ვერდის „ბალ-მასკარადი“ (1946), 1946—53 მოსკ. ოპერეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ამ თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: დუნაევსკის „ლაღი ქარი“ (1943), მილიუტინის „ტრემბიტა“ (1949, სსრკ სახელმწ. პრემია, 1950) და სხვ. 1953—61 მუშაობდა მოსკ. ა. პუშკინის სახ. თეატრში მთავარ რეჟისორად, 1961-იდან კრემლის ყრილობათა სასახლის, 1964—70 დიდი თეატრის მთავარი რეჟისორია, აქ დადგა ვერდის „დონ კარლოსი“ (1963), მურადელის „ოქტომბერი“ (1964) და სხვ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ (1953), დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“ (1958) და სხვ. თ-მა 1967 „ლა სკალას“ თეატრში დადგა მუსორგსკის „ხოვანშჩინა“ და „ბორის გოდუნოვი“. თ-ის დადგმები გამოირჩევა მასშტაბურობით, მაღალი პროფ. კულტურით. 1951-იდან თ. მოსკ. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების ინ-ტის პედაგოგია (1965-იდან — პროფესორი). დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

თუმაჯანოვი ივანე ილიას ძე (დ. 20. I. 1910, თბილისი), საბჭ. გეობოტანიკოსი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966-იდან), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). სკკპ წევრი 1941-იდან. საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტის დირექტორი (1939—1963) და დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში (1963-იდან), პალეობოტანიკის ლაბორ. გამგე (1959-იდან). თ. შეისწავლის კავკ. მთის ტყეების ტიპოლოგიის, ტყის მცენარეულობის პლეისტოცენური და ჰოლოცენური ისტორიის საკითხებს, ჩრდ. კავკ. ჭაობის მცენარეულობის ბოტან.-გეოგრ. გავრცელებას, კავკ. ფლორის ზოგიერთი გვარის პოპულაციურ სტრუქტურას და მიკროევოლუციას. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თუნგი, თიხის ან სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი. იყენებდნენ წყლისთვის და ღვინის საწყაოდაც. წყლის ჭურჭლად სპილენძის თ-ს, უფრო საქართვ. მთიან რ-ნებში ხმარობდნენ. ღვინის საწყაო თ. ქართულ წყაროებში XVI ს-იდან იხსენიება. საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტევადობის თ. ყოფილა გავრცელებული, მაგ., შიდა ქართლში 4-,5-,6- და ზოგან 8-ლიტრიანი. XVIII ს-ში თ-ის ტევადობა 2 ხელადას (3 — 3,4 ლ) შეადგენდა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგნ. 3, ნაკვ. 3 — ქართული საფასსაზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925; ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973.

გ. ჯალაბაძე. გ. ჯაფარიძე.

თუნი (Thun), ქალაქი შვეიცარიაში, ბერნის კანტონში, მდ. აარეს ნაპირზე, თუნის ტბის მახლობლად. 37 ათ. მცხ. (1976). ლითონის ნაკეთობათა, სამრეწვ. მოწყობილობის, საათების, სინთეზური კრისტალების წარმოება. კვების (ყველის და სხვ.) მრეწველობა. ტურიზმისა და ალპინიზმის ცენტრი.

თუნხუა, ქალაქი ჩინეთში, გირინის (ძილინი) პროვინციაში. 300 ათ. მცხ. (1971). ქვეყნის მძიმე მრეწვ. ერთ-ერთი ცენტრი. მეტალურგია, ლითონდამუშავება. თ-ის მახლობლად იღებენ რკინის მადანსა და ქვანახშირს.

თურანთეფე, *იხ. გორგანი.*

თურანის დაბლობი, თურანის ვაკე, შუა აზიისა და სამხრ. ყაზახეთის ვაკე ნაწილი, მოიცავს მეტწილად *ყარაყუმისა* და *ყიზილყუმის* უდაბნოებს. სამხრ-ით ესაზღვრება ქოფეთდაღი და ფაროფამიზის მთისწინეთი, დას-ით — კასპიის ზღვის აღმ. ნაპირი, ჩრდ.-დას-ით — მუღოჯარის სამხრ. შტოქედები და აღმ. მთისძირი, ჩრდ-ით — თურღაის პლატო, ჩრდ.-აღმ-ით — ყაზახეთის წვრილგორაკები, სამხრ.-აღმ-ით — ტიან-შანისა და პამირ-ალაის მთები. ბეთფაყ-დალის უდაბნოს აღმ. კიდითა და ჩუ-ილის მთებით გამოყოფილია ბალხაშ-ალაქოლის აუზის უდაბნოებისაგან. თ. დ-ის ძირითადი ნაწილი შეესატყვისება *თურანის ფილაქანს*, რ-ის ნაოჭა საფუძველი დაფარულია მეზო-კაინოზოური ნალექებით და ალაგ-ალაგ გაშიშვლებულია (მანგიშლაყი, ყარათაუს მთები, ყიზილ-ქიის მაღლობი და სხვ.) თ. დ-ის დას. ნაწილშია *მანგიშლაყის ნაკეთობაირის რაიონი.*

თ. დ-ზე ერთმანეთს ენაცვლება აკუმულაციური დაბლობები, ვაკეები და სუსტად დანაწევრებული მაგიდისებრი პლატოები (უსთიურთის, კრასნოვოდსკის და სხვ.). ზოგიერთი ქვაბული ოკეანის დონეზე დაბლაა (ყარაგიე —132 *მ*). მაქს. სიმაღლეა 926 *მ* (მთა თამდითაუ). ჰავა მეტად კონტინენტური, უდაბნოს ტიპისაა, სამხრ. ნაწილში — სუბტროპიკული. ნიადაგები რუხ-მურა, სამხრ. მთისპირა ვაკეებზე — ჩვეულებრივი რუხი. გაბატონებულია აბზინდიან-მლაშობურიანი, ფსამოფიტური და ეფემერული უდაბნოს მცენარეულობა. თ. დ-ზე გავრცელებულია თიხიანი, ქვიშიანი და ქვიანი უდაბნოები, ზოგან მლაშობები და თაყირებია. ყარაყუმსა და ყიზილყუმში არის საძოვრები და სარწყავი მიწათმოქმედება.

თურაშაული, ძველი ქართული ვაშლის ზამთრის ჯიში. აქვს მომრგვალო ფორმის ვარჯი. მოსავალს იძლევა მე-10 —მე-12 წელს, უხვმსხმოიარეა, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 250—300 *კგ*, მეწლეა. ნაყოფი მომრგვალო, ოდნავ კონუსური, სქელკანიანია, ფერად მწვანეა და მუქი მოწითალო ზოლები დასდევს. რბილობი თეთრია, ტკბილი და წვნიანი. ოქტ. შუა რი-

ცხვებში იკრიფება და გაზაფხულამდე ინახება. ტრანსპორტაბელურია. იყენებენ ნედლად და გადასამუშავებლად. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, ქართლში, მესხეთში, სამხრ. ოსეთსა და კახეთში. განარჩევენ თ-ის ქართლურ, მესხურ, კახურ და ლეჩხუმურ კლონებს. დაავადებათა მიმართ გამძლეა. *შ. აბვლედიანი.*

თურგუთლუ (Turgutlu), ქალაქი დას. თურქეთში, ეგეიზის ხეობაში, მანისის ვილაიეთში. 41 ათ. მცხ. (1970). რკინიგზის სადგური. ბამბასაწმენდი და ზეთსახდელი საწარმოები.

თურდი (ფსევდ. ფ ა რ ო ღ ი), XVII ს. უზბეკი პოეტი. ცხოვრობდა სუბჰანყული-ხანის მმართველობის დროს (1680—1702). 1685—86 სახ. აჯანყების მონაწილეა. მის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. ლექსების ერთადერთი ხელნაწერი აღმოაჩინეს 1924. ხელნაწერში 17 ლექსია, ორი დაწერილია ტაჯ. ენაზე, დანარჩენები — ძვ. უზბეკურზე. თ. თავისი სატირით თავს ესხმის სუბჰანყული-ხანს, ხალხს მოუწოდებს გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ზოგიერთ ლექსში შეიმჩნევა პესიმისტური მოტივები, რაც გამოწვეული იყო აჯანყების დამარცხებით:

თხზ.: Шеърлар, Тошкент, 1971.

ლიტ.: Ё к у б о в Х., Адабий мақолалар, Тошкент, 1970; К о р-о г л ы Х., Узбекская литература, 2 изд., М., 1976.

თურდო, მდინარე თელავის რ-ნში. სათავე აქვს გომბორის მთის აღმ. კალთაზე და ერთვის მდ. ალაზანს მარჯვნიდან. სიგრძე 32 *კმ*, აუზის ფართ. 114 *კმ*². ალაზნის ვაკეზე ქმნის ვრცელ გამოზიდვის კონუსს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა — ზაფხულ-შემოდგომაზე. *თ. კიკილაშვილი.*

თურდოსპირელი (ნამდვ. გვარი ჩ ხ ე ი ძ ე) დავით ანდუაფარის ძე (6. V. 1888, სოფ. ვარდისუბანი, ახლანდ. თელავის რ-ნი, — 23. XII. 1948, თბილისი), ქართველი საბჭ. მწერალი. 1911 დაამთავრა თბილ. გიმნაზია, 1915 — კიევის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1906 ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრ. „თავისუფლების მსხვერპლნი", 1913 — ლექსებისა და ნოველების პირველი კრებ. „სიმთა ქვითინი". საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში: „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი," „პიონერი", „ოქტომბრელი" და სხვ. მისი თაოსნობით დაარსდა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თ-ის მოთხრობები რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად (1926, 1929, 1961). მასვე ეკუთვნის საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „პირველი ბილიკები" (1929), „საყმაწვილო მოთხრობები" (1947), „საბავშვო მოთხრობები" (1947).

თხზ.: არაზინდო, თბ., 1961.

ნ. ალანია.

თურინჯი, პ ო მ პ ე ლ მ უ ს ი (Citrus grandis), სუბტროპიკული მარადმწვანე ხეხილოვანი მცენარე ციტრუსოვანთა გვარისა. ახალგაზრდა ყლორტები შებუსული აქვს, ფოთოლი ფართოფრთიანია, ნაყოფი მსხვილი (400—800 *გ*), მსხლისებრი ან ოდნავ ბრტყელი, ღია ყვითელი, კანი გლუვი ან ოდნავ ხორკლიანი. რბილობი ღია ლიმონისფერია, მომჟავო-ტკბილი, ზოგი ჯიშის — მწარე. სსრკ-ში მოჰყავთ დას. საქართველოს სუბტროპ. რ-ნებში. სხვადასხვა დროს შემოტანილია თ-ის 40-მდე ფორმა, გავრცელებულია ჰიბრიდული თ. — ნატსუდაიდაი (იაპონური წარმოშობისაა), ნაყოფი მწიფს დეკ-ში, შენახვის შემდეგ უფრო გემრიელია. შეუძლია შეცვალოს გრეიპფრუტის საუკეთესო ჯიშები. მ ს ხ ლ ი ს ებ რ ი თ. მწიფს ნოემბერში. ნაყოფი საშ. სიდიდისაა, კანი ოდნავ ხორკლიანი აქვს. ცნობილია აგრეთვე ჯიშები: ჰავაიური, სიამური, ტენგუ, აზახიკანი, გულრიფშის და სხვ. თ-ს ამრავლებენ ოკულირებით, საძირედ იყენებენ ტრიფოლიატას. მცენარე უძლებს 7—8°C ყინვას. ნაყოფისაგან ამზადებენ მურაბას, ცუკატს. *ი. ლეკვეიშვილი.*

თურმანიძე ლამარა ჩიტოს ასული (დ. 3. I. 1921, სოფ. სალვინე, შორაპნის მაზრა, ახლანდ. სოფ. პირველი მაისი, ზესტაფონის რ-ნი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1968). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1938 ჩოხატაურის თეატრში, სადაც 1947-მდე იმუშავა. 1950-იდან მუშაობს მახარაძის სახელმწ. თეატრში. შეასრულა როლები: ბებია (დუმბაძისა და ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), ლირსა („კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), ნინო (როზოვის „ვახშმობის წინ"), ძიძია (ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" მიხედვით), ირინე, მელანო (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება" და „სამანიშვილის დედინაცვალი"), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), კრუჩინინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), მარიამ ტიუდორი (ჰიუგოს „მარიამ ტიუდორი"), იულია (ვოინიჩის „კრაზანას" მიხედვით) და სხვ. დაჯილდოებულია მედლებით.

თურმანიძე სულხან, გორის მოურავი XVI ს. დასასრულს. ქართლის მეფის სიმონ I-ის თანამებრძოლი. 1599 მონაწილეობდა თურქ დამპყრობთაგან გორის ციხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. აკოფაშვილი.*

თურმანიძე ხოსრო, XVI—XVII სს. ქართველი პოეტი, „შაჰნამეს" ქართ. ვერსიების — „როსტომიანის" ერთ-ერთი მთარგმნელი. სვიმონ მეფის დავალებით უშუალოდ სპარსულიდან უთარგმნია „ბარზუნამეს" შემცველი ტექსტი. სულ გაულექსავს 972 სტროფი. მისი თარგმანი ზუსტად მისდევს დედანს, მაგრამ ლექსი სუსტია. თ-მ დაასრულა „როსტომიანის" ქართ. პოეტური ციკლი.

თარგმ. იხ.: შაჰ-ნამე. ქართული ვერსიები, ი. აბულაძის და სხვ. რედ., ტ. 2, ტფ., 1934.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., როსტომიანი, წგნ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; კ ობ ი ძ ე დ., შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959. *ა. გეგეჭორი.*

თურმანიძეები, უძველესი დროიდან ცნობილი ხალხურ მკურნალთა საგვარეულო; ძირითადად ზემო იმერეთის სოფ. შორაპნიდან იყვნენ. განსაკუთრებული წესით დამზადებული მალამოთი მკურნალობენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, სიდამწვრეს და სხვ. თავის მკურნალობის მეთოდს გადასცემენ მემკვიდრეებს. ცნობილია, რომ 1812 კახეთის აჯანყების დროს დაჭრილი პოეტის ალ. ჭავჭავაძის სამკურნალოდ ქუთაისიდან მოიწვიეს თურმანიძე. არსებობს ცნობა იმის შესახებაც, რომ იტალ. სახალხო გმირი ჯ. გარიბალდი ფეხის ამპუტაციას გადაარჩინა და განკურნა საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ. საქართვ. რუსეთთან შეერთების შემდეგ თ. რუს. არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად (მაგ., ბ. თურმანიძე). საბჭ. ხელისუფლებამ მკურნალობის ოფიც. ნებართვა მისცა თ-ის ზოგიერთ წარმომადგენელს.

ლიტ.: ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე ვ., ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო, თბ., 1974; Н и к о б а д з е И. И., Т а т и ш в и л и И. Я., К у р ч и ш в и л и И. Б., Основные этапы развития медицины в Грузии, Тб., 1964. *მ. შენგელია.*

თურსუნზადე მირზო [19. IV (2. V). 1911, სოფ. ყარათაგი, ახლანდ. რეგარის რ-ნი, — 24. IX. 1977, დუშანბე], ტაჯიკი საბჭ. მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ტაჯ. სახ. პოეტი (1961). სსრკ სახელმწ. პრემიის (1948), ლენინური პრემიის (1960), რუდაქის სახ. ტაჯ. სსრ სახელმწ. პრემიის (1963), ჯ. ნერუს სახ. პრემიის (1968) ლაურეატი. ტაჯ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1951-იდან), სოციალ. შრომის გმირი (1967). სკკპ წევრი 1941-იდან. 1946-იდან ტაჯ. კპ ცკ-ის წევრი იყო. დაიბადა ხელოსნის ოჯახში. სწავლობდა ტაშკენტში, ტაჯ. განათლების ინ-ტში. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1930-იდან. მისი თხზულებების პირველი კრებ. „გამარჯვების დროშა" 1932 გამოვიდა. აღიარება მოუპოვა ადრინდ. ნაწარმოებებმა — ბურჟ. ნაციონალისტების წინააღმდეგ მიმართულმა პიესამ „განაჩენი" (1935) და ტაჯ. ქალის განთავისუფლების თემაზე შექმნილმა პოემამ „შემოდგომა და გაზაფხული" (1937). საბჭ. პატრიოტიზმის, პროლეტ. ინტერნაციონალიზმის, საერთაშ. რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის თემებს ეძღვნება კრებ. „ლექსები" (1939). სამამულო ომის წლებში შექმნა პოემები „სამშობლოსათვის!" (1941, დეჰოთისთან ერთად), „მამულიშვილი" (1942) და სხვ. ომის შემდეგ თ-ს ნაწარმოებების ძირითადი თემაა ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის. პოპულარულია თ-ს ანტიკოლონ. ლექსების ციკლი „ინდური ბალადა" (1947—48), კრებ „მე თავისუფალი აღმოსავლეთიდან ვარ" (1950), პოემა „მარადი შუქი" (1957) და სხვ. ტაჯ. სოფლის ცხოვრება, სოციალ. გარდაქმნები აისახა მის ერთ-ერთ საუკეთესო პოემაში „ჰასან არბაქეში" (1954). პოემაში „განგიდან კრემლამდე" (1970) დახატულია ლენინის სახე. კლასიკური და ხალხ. პოეზიის ტრადიციებზე აღზრდილ თ-ს პოეზიას ახასიათებს ემოციურობა, რომანტ. აღმაფრენა, აფორისტულობა. ავტორია პუბლიც. და ლიტ.-კრიტ. სტატიებისა. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მ. შ. ქართულზეც. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: აზიის ხმა, თბ., 1960; [წიგნში] ტაჯიკური პოეზია, თბ., 1952; Избр. произведения, т. 1—2, М., 1971.

ლიტ.: Б о б о е в Ю., Мирзо Турсунзода, Сталинобод, 1961.

თურსუნყულოვი ხამრაყულ [29. II (12. III). 1892, ყიშლაღი ვუადილი, ახლანდ. ფერღანის რ-ნი, ფერღანის ოლქი, უზბ. სსრ, — 9. VIII. 1965, იანგიულის რ-ნი, ტაშკენტის ოლქი], საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სამგზის სოციალ. შრომის გმირი (1948, 1951, 1957), უზბ. სსრ სახ.-საშ. აკად. საპატიო წევრი (1957). სკკპ წევრი 1945-იდან. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1918—21 მონაწილეობდა უზბეკეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარებასა და სამოქალაქო ომში. შემდეგ საბჭ. და სამეურნეო სამუშაოებზე იყო. 1935-იდან — მებამბეობის კოლ-ბის „შარქ იულდუზის" („აღმოსავლეთის ვარსკვლავი") თავ-რე. სკკპ XX და XXIII ყრილობების დელეგატი, სსრკ II და VI მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

თურუსბეკოვი ჯუსუფ (1910, სოფ. ქუნბათიში, ახლანდ. თონის რ-ნი, ყირგ. სსრ, — 1943, კალინინის ფრონტი), ყირგიზი საბჭ. პოეტი და დრამატურგი, ყირგ. საბჭ. ლიტ-რის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სკკპ წევრი 1930-იდან. დაიბადა ღარიბ ოჯახში. ადრე დაობლდა. აღიზარდა საბავშვო სახლში და ინტერნატში. ლექსების პირველი კრებ. გამოაქვეყნა 1932. თ. რევოლუციის მომღერალია. მისი პოეზია პუბლიც. ხასიათისაა, აღსავსეა მოქალაქეობრივი პათოსით. თ. ერთ-ერთი პირველი ყირგ. დრამატურგია (პიესები „სიკვდილი კი არა, სიცოცხლე", 1935; „ბუმმოინოკის ამბები", 1937). იყო მთარგმნელიც.

თურქები (ძვ. ო ს მ ა ლ ო თ ურ ქ ე ბ ი, საკ. სახელწ. თ ურ ქ), ერი, თურქეთის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 35 მლნ. (1975, შეფასება). ცხოვ-

თურაშაული.

თურინჯი. ნატსუდაიდაი.

ლ. თურმანიძე.



მ. თურსუნზადე.

ხ. თურსუნყულოვი.



თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

თურქეთი

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები. 12
II სახელმწიფო წესწყობილება 12
III. ბუნება. 12
IV. მოსახლეობა 12
V. ისტორიული ნარკვევი. 12
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. 14
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი . 15
VIII. შეიარაღებული ძალები 16
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 16
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი . . . 16
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია. 16
XII. ლიტერატურა . . . 16
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. . 17
XIV. მუსიკა 17
XV. დრამატული თეატრი. 18
XVI. კინო 18

თურქეთი (Türkiye), თ უ რ ქ ე თ ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (Türkiye Cumhuriyeti).

I. ზოგადი ცნობები

თ. — სახელმწიფო დას. აზიასა და სამხრ.-აღმ. ევროპაში. ტერიტორიის დაახლ. 97% მდებარეობს მცირე აზიის ნ.-კ-ზე (ანატოლია), დაახლ. 3% — ევროპაში (აღმ. თრაკია), ბალკანეთის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში. ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრება სსრკ, აღმ-ით — ირანი, სამხრ.-აღმ-ით—ერაყი და სირია, ჩრდ.-დას-ით—ბულგარეთი და საბერძნეთი. სახმელეთო საზღვრის სიგრძეა 2,6 ათ. *კმ*. ჩრდ-ით აკრავს შავი ზღვა, დას-ით — ეგეოსის ზღვა, სამხრ-ით — ხმელთაშუა ზღვა. თ-ს ეკუთვნის რამდენიმე კუნძული ეგეოსის ზღვაში (იმროზი, ბოზჯაადა და სხვ.). ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აგრეთვე მარმარილოს ზღვა თ-ის ევრ. ნაწილს გამოყოფს აზიურისაგან. ფართ. 780,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 42,1 მლნ. კაცი (1977, შეფასება). დედაქალაქი — ანკარა. სახელმწ. ენა — თურქული. ეროვნ. დღესასწაულია 29 ოქტ. — რესპ. გამოცხადების დღე (1923). ოფიც. *კალენდარი*— გრიგორიანული. ფულის ერთეულია თურქ. ლირა. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1979 ოქტ.) 100 თურქ. ლირა=1,37 მანეთს. ადმინისტრაციულად თ. იყოფა 67 ვილაიეთად (ილად).

II. სახელმწიფო წესწყობილება

თ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1961 კონსტიტუცია. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი ეროვნ. კრება — ორპალატიანი პარლამენტი. ზედა პალატას — სენატს მოსახლ. ირჩევს 6 წლით, ეროვნ. პალატას კი — 4 წლით. საარჩევნო უფლება მოქალაქეებს ენიჭებათ 21 წლის ასაკიდან. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევს დიდი ეროვნ. კრება 7 წლით. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს — მთავრობას; ადგილ. მმართველობა ვილაიეთში — ცენტრ. ხელისუფლების წარმომადგენელს — ვალის. ქ-ებსა და მსხვილ დასახლ. პუნქტებში ირჩევენ მუნიციპალურ საბჭოებს. თ-ის სასამართლო სისტემაში შედიან მომრიგებელი მოსამართლეები, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები, სავაჭრო სასამართლოები. უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა საკასაციო სასამართლო. არსებობს აგრეთვე *კონსტიტუციური სასამართლო*.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

თ. მთიანი ქვეყანაა, მდებარეობს *მცირე აზიის მთიანეთის*, ნაწილობრივ *სომხეთის მთიანეთის* ფარგლებში. უდიდესი სიგრძე დას-იდან აღმ-კენ — 1600 *კმ*, ჩრდ-იდან სამხრ-კენ — 500—600 *კმ*, სანაპირო ხაზის სიგრძე 7 ათ. *კმ*-ზე მეტი. მცირე აზიის ჩრდ. ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, გადაჭიმულია *პონტოს მთები* (სიმაღლე 3937 *მ*-მდე), სამხრ-ით — *ტავრის* მთათა სისტემა (სიმაღლე 3726 *მ*-მდე). მათ შორის არის ვრცელი *ანატოლიის ზეგანი*. აღმ-ით სომხეთის მთიანეთის ქედებია ვულკ. კონუსებით (დიდი არარატი, 5165 *მ*, თ-ის უმაღლესი მწვერვალი). ქვეყნის სამხრ.-აღმ. ნაწილში *ჯეზირეს* პლატოა (სიმაღლე 500—1000 *მ*). თ-ის ევრ. ნაწილში ჭარბობს ბორცვიანი ვაკეები, ჩრდ-ით ისტრანჯის ქედია (სიმაღლე 1030 *მ*-მდე). თ-ში დაბლობები ცოტაა. ყველაზე დიდია ჩუკუროვის დაბლობი ქვეყნის სამხრ. ნაწილში და ქვემო თრაკიისა — დას-ით, მდ. მარიცის აუზში.

თ-ის მთავარი სასარგებლო წიაღისეულია ქრომიტები, ბორატები, ბოქსიტები, ვოლფრამი, ვერცხლისწყალი, სტიბიუმი, სპილენძი, ქვანახშირი. სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს ნავთობის, მანგანუმის, რკინის, ტყვიის, თუთიის, მურა ნახშირის, მაგნეზიტის, ბარიტის, აზბესტის, გოგირდის, ქვამარილის და სხვ. საბადოებს.

ჰავა სუბტროპიკულია, ახასიათებს ტემპერისა და სინოტივის დიდი კონტრასტები ადგილის სიმაღლისა და ზღვიდან დაშორების მიხედვით. სამხრ. და დას. სანაპირო რ-ნებში ხმელთაშუა ზღვის ჰავაა, ზაფხული მშრალია, ჩრდ.-აღმ-ით — თანაბრად ნოტიო, შიგა რ-ნებში — კონტინენტური; იანვ. საშ. ტემპ-რა იცვლება დაბლობზე 5°C-იდან (ჩრდ-ით) 10°C-მდე (სამხრ-ით), შიგა ზეგნებზე 0-იდან — 5°C-მდე (დას-ით) და —15°C-მდე (აღმ-ით), მთებში ყინვები —35°C-მდე აღწევს. ივლ. საშ. ტემპ-რა შავი და მარმარილოს ზღვების სანაპიროებზე 22—24°C, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე 25-იდან 32°C-მდე, ჯეზირეს პლატოზე 30°C-ზე მეტია (ზოგ დღეს 40°C-ზე მეტი), შიგა ზეგნებზე 15-იდან 22°C-მდე. ნალექები პონტოსა და ტავრის მთების ზღვისკენ მიმართულ კალთებზე 1000—2000 *მმ* წელიწადში (პონტოს მთების აღმ. ნაწილში 3000 *მმ*-მდე), ანატოლიის ზეგნის შიგა რ-ნებში — 200—350 *მმ*, სომხეთის მთიანეთში — 300—600 *მმ*.

თ-ის თითქმის ყველა მდინარე მთის ტიპისაა. სპარსეთის ყურის აუზს განეკუთვნება მდ-ები ტიგრი და ევფრატი, კასპიის ზღვის აუზს — მტკვარი და არაქსი, შავ ზღვაში ჩაედინება იეშილ-ირმაქი, ყიზილ-ირმაქი, ჭოროხი, საქარია (ზოგი მათგანი თ-ის ტერიტორიაზე მიედინება მხოლოდ ზემოთში). თ-ის ევრ. ნაწილშია მდ. მარიცის (ერთვის ეგეოსის ზღვას) ქვემოთი. თ-ში ბევრი ტბაა, მათგან უდიდესია ვანისა და თუზის ტბები.

თ-ის შიგა ზეგნებზე უმთავრესად ნახევარუდაბნოს რუხი და ღია მურა, აგრეთვე მშრალი სტეპის წაბლა ნიადაგებია, ჯეზირეს პლატოზე — უდაბნოს რუხი, სანაპირო რ-ნებში — ყავისფერი, ნოტიო სუბტროპიკებში — წითელმიწა და მთა-ტყის მურა, 2000—2100 *მ*-ზე მაღლა მთა-მდელოს ნიადაგებია.

სანაპირო მთებში ჭარბობს ნახევრად მშრალი სუბტროპიკების, ზეგნებზე — სუბტროპ. ნახევარუდაბნოს მცენარეულობა. მთების ზღვისკენ მიმართული კალთების ქვემო ნაწილში ხმელთაშუა ზღვის მცენარეულობაა (ხეშეშფოთლიანი ტყე და ბუჩქნარი), მაღლა, ტავრის მთებში, ზოგან წიწვნარია, აღმ. პონტოს მთებშ — ფოთოლმცვივანი ტყე მარადმწვანე ქვეტყით და წიწვნარი. განაპირა მიების შიგა კალთებზე და ზეგნებზე გაბატონებულია ფრიგანის ქსეროფიტული ფორმაციები, შიბლიაკი, მშრალი სტეპი და ნახევარუდაბნო. სომხეთის მთიანეთში მთის ტყესა და მთის სტეპს ზემოთ სუბალპ. და ალპ. მდელოები ენაცვლება. ჯეზირეს პლატოზე ჭარბობს აბზინდიან-მარცვლოვანი ნახევარუდაბნო.

მთაში გვხვდება ნიამორი ტყეში — კეთილშობილი ირემი, შველი, გრეული ღორი, მტაცებლებიდან — მგელი, ტურა, ზოლებიანი აფთარი, დათვი; ჯეზირეს პლატოზე — კანჯარი, ქურციკი და სხვ. მრავალფეროვანია ფრინველთა სამყარო. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით. თ-ში 12 ეროვნ. პარკია.

IV. მოსახლეობა

ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა *თურქებია* (35 მლნ. კაცი, 1975). აღმ. რ-ნებში (ე. წ. თურქ. ქურთისტანში) ცხოვრობენ ქურთები (3,5 მლნ-ზე მეტი), სამხრ.-აღმ-ით — არაბები (დაახლ. 600 ათ.), „ჩერქეზები" (150 ათ., ამ სახელით გაერთიანებული არიან კავკასიის მიიღები — ადიღეები, უბიხები, ჩაჩნები, ოსები, ლეკები); ქვეყნის ჩრდ.-აღმ-ით ცხოვრობენ ქართველები, მ. შ. ლაზები (120 ათ. კაცი), აგრეთვე აზერბაიჯანელები და თურქმენები; თ-ის ევრ. ნაწილში — ბულგარელები, ალბანელები, სტამბოლში — სომხები, ებრაელები, ბერძნები და სხვ. მოსახლ. უმეტესობა სუნიტური ისლამის მიმდევარია.

მოსახლ. მატებამ 1961—75 საშუალოდ 2,5% შეადგინა წელიწადში. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. (15 მლნ. კაცი, 1975) 61% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, 16% — მრეწველობაში (ჩშენებლობის ჩათვლით), 4% — ტრანსპორტში, 5% — ვაჭრობაში, 13% — მომსახურების სფეროში, 1% — სხვა დარგებში. დაახლ. 5 მლნ. კაცი მთლიანად ან ნაწილობრივ უმუშევარია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 53 კაცი 1 *კმ*²-ზე (1977). სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია შავი ზღვის სანაპიროზე და დას. ანატოლიაში, ყველაზე დაბალი — ცენტრ., განსაკუთრებით აღმ. ანატოლიაში. მოსახლ. დაახლ. 42% ქალაქად ცხოვრობს. მნიშვნელოვანი ქ-ებია (ათ. მცხ., 1975): სტამბოლი (2535), ანკარა (1699), იზმირი (636), ადანა (467), ბურსა (346), გაზიანთეფი (301), ესქიშეჰირი (290), კონია (270).

V. ისტორიული ნარკვევი

თანამედროვე თურქების წინაპრები — ოღუზები ანატოლიაში პირველად XI ს-ში, სელჩუკთა დაპყრობების დროს მოვიდნენ. XIII ს. II ნახ-ში ოღუზთა ერთ-ერთი მომთაბარე ტომის ქაის ბელადმა *(ბეგმა)* ერთოლრულმა რუმის სულთნისაგან მცირე აზიის ჩრდ.-დას-ში მიიღო ტერიტორია — უჯი. მისმა შვილმა ოსმან I-მა (აქედან მომდინარეობს სახელწ. ოსმალები და ოსმ. იმპერია) შექმნა (1299) დამოუკიდებელი ფეოდ. სამთავრო (ბეილიქი). XIV—XV სს-ში ოსმალმა ფეოდალებმა შეიერთეს მცირე აზიის თურქ. ბეილიქები. XIV ს. II ნახევარში გადალახეს დარდანელის სრუტე და დაიმორჩილეს ბალკ. ნ.-კ-ის ქვეყნების უმრავლესობა (XIV ს. დასასრული—XV ს.), 1453 კონსტანტინოპოლის (რ-იც შემდეგ სტამბოლის სახელწოდებით ოსმ. იმპერიის დედაქალაქი გახდა) აღებით ბოლო მოუღეს ბიზანტ. იმპერიას. ოსმ. აგრესიით შეშფოთებულმა ევრ. სახელმწიფოებისა და რომის ეკლესიის მესვეურებმა განიზრახეს ანტიოსმ. კოალიციის შექმნა, რ-შიც

შევიდოდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. ამ მიზნით 1459 საქართველოში ჩამოვიდა პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი. საქართვ. მეფე და მთავრები მოწონებით შეხვდნენ ამ მიმართვას, მაგრამ პროექტი განუხორციელებელი დარჩა. ოსმალეთმა შეძლო დამპყრობლური ომების გაგრძელება. მოსპო ტრაპიზონის საკეისრო (1461), დაიმორჩილა ყირიმის ნ.-კ. (1475), მდ-ების შესართავები (დონიდან დუნაიმდე). XV ს. დასასრულს შავი ზღვა ოსმ. „დახურულ ტბად" იქცა, რის შედეგად საქართველო მოწყვეტილი აღმოჩნდა გარე სამყაროსაგან. XV ს-ში ოსმალეთი კიდევ უფრო გაძლიერდა. დაიპყრო სირია, პალესტინა, ეგვიპტე (1516—17); არაბეთის ნ.-კ-მა აღიარა სულთნის უზენაესი ხელისუფლება. 1534—46 ერაყის დაპყრობით ოსმალეთი გავიდა სპარსეთის ყურეზე. 1526 უნგრეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთი ჩაება გამუდმებულ ომებში ჰაბსბურგების იმპერიასთან (იხ. *ავსტრია-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს.*). XVI ს. დამდეგს, *სეფიანთა* სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ირანსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ხანგრძლივი ომები ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის (იხ. *ირან-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს.*), ტერიტ. გაფართოებასთან ერთად XIV—XVI სს-ში მიმდინარეობდა ოსმ. სოც.-პოლიტ. ევოლუცია. წარმოიქმნა ფეოდ. მიწათმფლობელობის ძირითადი კატეგორიები: ხასები, *არზი-მემლექეთი*, ვაკუფები და მულქები. ფეოდ. მიწათმფლობელობასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სულთნების სოც. დასაყრდენის, საკარგავებით (*თიმარი, ზეამეთი*) შეწყალებული ფეოდალების (სიფაჰიები) ფენის ჩამოყალიბება. ოსმ. დაპყრობებმა შეაფერხა მათ მიერ დამორჩილებული ხალხების სოც.-ეკონ. განვითარება. განუწყვეტელი ომები მძიმე ტვირთად დააწვა თურქ გლეხობას, ქალაქის მშრომელ მოსახლეობას და წვრილ სამხ. ლენის მფლობელებს. XVI ს. დასასრულს და XVII ს. დასაწყისში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყებები. სამხ.-ლენური სისტემის კრიზისის შედეგად დაქვეითდა ოსმ. სამხ. ძლიერება, დაეცა სამხ. დისციპლინა *იენიჩარებს* შორისაც. XVI ს. II ნახევარში თურქებმა სერიოზული სამხ. დამარცხებები განიცადეს ხმელეთზე —რუსეთთან ომში (1569), ზღვაზე—ესპანეთ-ვენეციის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლაში ლეპანტოსთან (1571). XVII ს. დასასრულიდან სამხ. დამარცხებებმა (ავსტრია-ოსმ. ომი 1683 — 99, რუსეთ-ოსმ. ომები 1686 — 1700, 1735 — 39, 1768 — 74, 1787—91) და თურქი ფეოდალების მიერ დაბეჩავებული ხალხების განმათ. ბრძოლის ზრდამ განაპირობა ოსმ. მიერ დაპყრობილი ტერიტორიების დაკარგვა (იხ. *ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება 1774, იასის საზავო ხელშეკრულება 1791*). XIX ს-ში ეს პროცესი გაძლიერდა, რის შედეგადაც ოსმ. ბატონობისაგან მთლიანად განთავისუფლდა საბერძნეთი, სერბია, რუმინეთი, ბულგარეთი, ოსმ. მიერ XVI—XVII სს-ში მიტაცებული საქართვ. ტერიტორიები: სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ფოთი და სხვ. ამაში დიდი როლი ითამაშა რუსეთის გამარჯვებამ რუსეთ-ოსმ. ომებში (1806—12, 1828—29, 1877—78). ამავე დროს სულ უფრო ძლიერდებოდა ოსმ. პოლიტ. და ეკონ. დამოკიდებულება ევრ. სახელმწიფოებზე, რ-ებმაც ოსმალეთს თავს მოახვიეს *კაპიტულაციების რეჟიმი*, ხოლო XVIII ს. დასასრულიდან წამოაყენეს ოსმალეთის ევრ. სამფლობელოების დანაწილების პრობლემა (იხ. *აღმოსავლეთის საკითხი*). საგარეო ომებში მარცხმა, ტერიტ. დაკარგვამ და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გაძლიერებამ ოსმ. მმართველი წრეები აიძულა რეფორმების მეშვეობით შეენარჩუნებინათ იმპერიის მთლიანობა. სულთანმა სელიმ III-მ (მართავდა 1789 — 1807) შემოიღო ე. წ. „ახალი სისტემა" („ნიზამი ჯედიდ"), რაც ითვალისწინებდა შუა საუკ. ფეოდ. ინ-ტების (ფეოდ. მიწათმფლობელობის, სამხ.-ლენური სისტემის, სახელმწ. ფინანსების) მოწესრიგებას, ეს ცდა მარცხით დამთავრდა. სულთან მაჰმუდ II (სახელმწიფოს მართავდა 1808—39) განაგრძობდა სელიმ III-ის პოლიტიკას, მოსპო იენიჩართა ჯარი და შეეცადა გაეტარებინა სხვა რეფორმები, მაგრამ შედეგი უმნიშვნელო იყო. პროგრ. გარდაქმნის ყველაზე სერიოზული ცდები დაიწყო 1839-იდან. ჩატარდა არმიის, სახელმწ. აპარატის, ფინანსების რეორგანიზაცია; *თანზიმათის* ძირითადი დაპირებები — სულთნის ქვეშევრდომთა თანასწორობა (სარწმუნოების მიუხედავად), პიროვნების სიცოცხლისა და ქონების დაცვის გარანტია — დაპირებად დარჩა. თანზიმათის სრულ განხორციელებას ხელი შეუშალეს ოსმ. რეაქციულმა ძალებმა, ასევე ევრ. სახელმწიფოებმა, რ-ებმაც XIX ს. შუა ხანებიდან კაბალური სესხითა და სხვა საშუალებებით დაიწყეს ოსმალეთზე ფინანს. და პოლიტ. კონტროლის დაწესება. 1876 გამოქვეყნდა კონსტიტუცია, მაგრამ ორი წლის შემდეგ სულთან *აბდულჰამიდ II-მ* (მართავდა 1876—1909) ფაქტობრივად შეწყვიტა მისი მოქმედება, ქვეყანაში დაამყარა მკაცრი დესპოტური რეჟიმი „*ზულუმი*", რ-საც თან მოჰყვა ეროვნ. უმცირესობის (განსაკუთრებით სომხების) სისხლიანი დარბევები, *პანისლამიზმის* რეაქციული პოლიტიკის გატარება, ოსმ. გადაქცევა დას. იმპერიალ. სახელმწიფოების ნახევრად კოლონ. ქვეყნად.

XIX ს. დასასრულს ოსმალეთში დაიწყო *ახალგაზრდა თურქების* მოძრაობა, რ-იც რუსეთის 1905—07 რევ. გავლენით გაძლიერდა; 1908 თურქ. არმიის მიერ მაკედონიაში მოწყობილი აჯანყების (ე. წ. *ახალგაზრდა თურქების რევოლუციის 1908*) შედეგად აღადგინეს 1876 კონსტიტუცია და მოიწვიეს პარლამენტი. მაგრამ ახალგაზრდა თურქებს არაფერი გაუკეთებიათ მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არათურქი ხალხების ეროვნ. მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეროვნ. საკითხში ახალგაზრდა თურქებმა დაიკავეს რეაქციული პოზიცია, წამოაყენეს ოსმანიზმის ლოზუნგი, ააღორძინეს პანისლამიზმი, ასევე *პანთურქიზმის* რეაქციული დოქტრინა. ოსმ. დამოკიდებულება იმპერიალ. სახელმწიფოებზე (განსაკუთრებით გერმანიაზე) კიდევ უფრო გაძლიერდა. 1914 ოსმალეთში ხელისუფლება ფაქტობრივად ახალგაზრდა თურქების ხელმძღვანელების ენვერ-ფაშას, თალაათ-ფაშას და ჯემალ-ფაშას ხელში აღმოჩნდა. ამ „ტრიუმვირატმა" ოსმალეთი ჩაითრია I მსოფლიო ომში გერმ. მხარეზე. სასტიკმა დამარცხებამ ოსმალეთი აიძულა 1918 ოქტ-ში ანტანტის წინაშე კაპიტულაცია გამოეცხადებინა (იხ. *მუდროსის დაზავება 1918*), რითაც სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგა. ანტანტის იმპერიალისტებმა მიიტაცეს ოსმ. იმპერიაში შემავალი არაბ. ქვეყნები და ემზადებოდნენ საკუთრივ ოსმ. დანაწილებისათვის. ანტანტის სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, რ-თაც აშშ უჭერდა მხარს) დაიწყეს ოსმ. სამხ. ოკუპაცია. 1920 ივნ. საბერძნ. არმია ინგლ. მხარდაჭერით შეტევაზე გადავიდა და ღრმად შეიჭრა ანატოლიაში. დაიკავა თრაკია. ანტანტის სახელმწიფოებმა სულთნის მთავრობას თავს მოახვიეს კაბალური *სევრის საზავო ხელშეკრულება* (1920). ასეთ პირობებში და ოქტ. რევ. გავლენით თურქმა ხალხმა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო დამოუკიდებლობისათვის. ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო გლეხობა, მუშები, ხელოსნები, წვრილი და საშ. ბურჟუაზია, რ-თაც ხელმძღვანელობდნენ ეროვნ.-ბურჟ. მოღვაწეები მუსტაფა ქემალის მეთაურობით (იხ. *ათათურქი*). თურქი ხალხი იბრძოდა არამარტო ინგლ.-საბერძნ. ინტერვენტების წინააღმდეგ, ეს იყო ბურჟ.-ეროვნ. რევოლუცია, მიმართული უცხ. კაპიტალის ბატონობისა და სულთნის ფეოდ.-კლერ. წყობილების წინააღმდეგ. 1920 წ. 23 აპრ. ანკარაში შეიკრიბა ახ. პარლამენტი (დიდი ეროვნ. კრება, დეკ), რ-მაც თავი განაცხადა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად ქვეყანაში. დეკის პირველი საგარეო აქცია იყო ათათურქის მიმართვა საბჭ. მთავრობისადმი ოსმალეთსა და საბჭ. რუსეთს შორის დიპლ. ურთიერთობის დამყარების შესახებ, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. საბჭ. მთავრობამ პირველმა (1920 წ. 2 ივნ.) ცნო მუსტაფა ქემალის მთავრობა და მასთან დიპლ. ურთიერთობა დაამყარა. 1921 წ. 16 მარტს დაიდო რსფსრ-ოსმ. ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ. განმათ. ბრძოლა დასრულდა ოსმ. გამარჯვებით შეიარაღებულ იმპერიალ. ინტერვენციაზე (იხ. *ლოზანის კონფერენცია 1922—23*).

1922 წ. 1 ნოემბ. დეკ-მ მიიღო კანონი სულთანატის გაუქმების შესახებ. 1923 წ. 29 ოქტ. თ. რესპუბლიკად გამოცხადდა. პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ქემალ ათათურქი, რ-იც სახ.-რესპ. პარტიის (სრპ) ლიდერიც გახდა. 1924 წ. 3 მარტს გაუქმდა ხალიფატი. მიიღეს თ-ის რესპ. ახ. კონსტიტუცია. ტარდებოდა პროგრ. რეფორმები სამართლებრივი ურთიერთობის, კულტურის, ენისა და ყოფაცხოვრების სფეროში. თ-ის ეკონ. დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ქემალისტებმა *ეტატიზმის* პოლიტიკაზე დაფუძნებული პროგრ. ღონისძიებები შეიმუშავეს, რაც გულისხმობდა თ-ის სუსტი ეკონ. დაცვას უცხო კაპიტალისაგან. უცხ. კონცესიების ნაწილი გააუქმეს, ნაწილობრივ კი გამოისყიდეს, დაარსდა ეროვნ. ბანკები, აშენდა ახ. რკინიგზები, საწარმოები და სხვ. ეტატიზმის პოლიტიკის გატარებაში თ-ს დიდი დახმარება გაუწია სსრკ-მა, რ-მაც 1932 მას ხელსაყრელ პირობებში მისცა გრძელვადიანი სესხი და ტექ. დახმარება აღმოუჩინა კაისერისა და ნაზილის საფეიქრო კომბინატების მშენებლობაში. თ-ის საერთაშ. მდგომარეობის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი 1925 სსრკ-თან დადებულმა ახ. ხელშეკრულებამ მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. იმპერიალ. სახელმწიფოები ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ თ-ის პოლიტ. და ეკონ. დამოუკიდებლობის განმტკიცებას. თ-ის ბურჟუაზიამ ხელში აიღო სახელმწ. ხელისუფლება, მაგრამ მშრომელთა საარსებო მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. მშრომელთა უფლებებისათვის აქტ. მებრძოლებს სისტემატურად დევნიდნენ, კომპარტია (დაარსდა 1920) იძულებული გახდა არალეგალურად ემუშავა (1923), ეროვნ. უმცირესობანი პოლიტიკურად უუფლებონი დარჩნენ; 30-იანი წწ. II ნახევარში შეფერხდა, ხოლო შემდეგ სრულიად შეწყდა პროგრ. რეფორმების გატარება, გაძლიერდა იმპერიალ. სახელმწიფოების გავლენა თ-ის საგარეო პოლიტიკაზე (ინგლისთან და ფაშისტურ გერმანიასთან დაახლოება). რეაქციული ძალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ II მსოფლიო ომის წინ და მის დროს. თითქმის ომის დასასრულამდე თ-მა ოფიციალურად შეინარჩუნა ნეიტრალობა, მაგრამ ფაქტობრივად გერმ. არამეომარი მოკავშირე იყო. 1945 თებ-ში, როცა ომის დასასრული უკვე განსაზღვრული იყო, თ-მა ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას. II მსოფლიო ომის პერიოდში სსრკ-სა და თ-ს შორის შეიცვალა ურთიერთობა. საბჭ. მთავრობამ 1945 წ. 19 მარტს გააუქმა საბჭ. კავშირ-თ-ის 1925 ხელშეკრულება. თუმცა თ. არ მონაწილეობდა საომარ

საპოვარი ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე.



ლელვის შრობა აიდინის ვილაიეთში.

„ახალგაზრდა თურქების“ რევოლუცია. მანიფესტაცია სტამბოლში. 1908 წ. ივლისი.

მოქმედებებში, მმართველი წრეები მაინც ატარებდნენ ქვეყნის მილიტარიზაციის პოლიტიკას, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მშრომელებს. მოსახლ. ფართო ფენებში დაიწყო პროტესტი სრპ-ის მიერ დამყარებული დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. 1945 მმართველ პარტიაში მოხდა განხეთქილება. მისგან გამოყოფილმა ოპოზიციურმა ჯგუფმა მ. ჯ. ბაიარისა და ა. მენდერესის მეთაურობით დააარსა ახ. ბურჟ.- მემამულური პარტია — დემოკრ. პარტია (დპ). 1950 პარლამენტის არჩევნებში სრპ-მ მარცხი განიცადა, ხელისუფლების სათავეში მოექცა დემოკრ. პარტია. პრეზიდენტი გახდა დპ-ის ლიდერი ბაიარი, პრემიერ-მინისტრი — მენდერესი. ახ. მთავრობა აგრძელებდა რეაქციულ პოლიტიკას და თ-ს ძველებურად უქვემდებარებდა ამერ. იმპერიალისტების ინტერესებს. 40-იანი წწ. დასასრულსა და 50-იანი წწ. დასაწყისში თ-ის მთავრობამ აშშ-თან დადო შეთანხმება ამერიკისგან „დახმარების“ მიღების შესახებ. თ-მა მიიღო სუბსიდიები და კრედიტები შეიარაღებისა და სამხ.-სტრატეგიული მშენებლობისათვის. თავის მხრივ თ-მა აშშ-ს თ-ის ტერიტორიაზე სამხ. ბაზების შექმნის უფლება მისცა და ამერ. კონტროლს დაუქვემდებარა თავისი შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. 1950—53 თ. მონაწილეობდა კორეელი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებულ ინტერვენციაში, 1952 გახდა ნატოს წევრი, 1955 — ბაღდადის პაქტის (1959-იდან — სენტო) წევრი. დპ-ის მთავრობამ გააძლიერა პროგრ. ძალების დევნა. მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, ქვეყანაში იზრდებოდა ბრძოლა სამხ. აგრესიულ ბლოკებში თ-ის მონაწილეობის, მის ტერიტ-ზე ატომური და რაკეტული ბაზების მშენებლობის წინააღმდეგ, საბჭ. კავშირ-თ-ის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის. 1960 წ. 27 მაისს თ-ის არმიამ მოახდინა სახელმწ. გადატრიალება — მენდერესის მთავრობა დაემხო. შეიქმნა ახ. მთავრობა გენ. ჯ. *გურსელის* — ეროვნ. ერთობის კომიტეტის თავ-რის—მეთაურობით. მთავრობამ გამოაცხადა თავისი განზრახვა—დაბრუნებოდა ათათურქის ტრად. პოლიტიკას. 1961 თ-ში მიიღეს ახ. კონსტიტუცია. საბჭ. მთავრობამ 1960 წ. 31 მაისს ოფიციალურად ცნო თ-ის ახ. მთავრობა.

1960 სახელმწ. გადატრიალებას მოჰყვა გარკვეული ძვრები თ-ის საგარეო პოლიტიკაშიც. დპ-ის მმართველობის პერიოდისაგან განსხვავებით, თ-ის მთავრობა, რ-იც კვლავ აგრძელებდა აშშ-თან, ნატოსა და სენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკას, ამასთანავე ცალმხრივად აღარ მიჰყვებოდა მას და მოქნილად მოქმედებდა. თ-მა გარკვეული ნაბიჯი გადადგა საბჭ. კავშირთან, სხვა სოციალ. და ნეიტრალურ ქვეყნებთან (პირველ რიგში არაბ. ქვეყნებთან) ურთიერთობის ნორმალიზებისა და გაუმჯობესების მიზნით. სსრკ-თან ურთიერთობის გაუმჯობესება გამოიხატა ეკონ. თანამშრომლობის მნიშვნელოვან გაფართოებაში (იხ. ეკონ.-გეოგრ. ნარკვევი).

1972 აპრ. ხელმოწერილ იქნა „დეკლარაცია სსრკ და თურქეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპების შესახებ“.

1971 მარტში არმიის სარდლობამ გადააყენა ს. დემირელის მთავრობა იმ მოტივით, რომ მან ქვეყანაში ბოლო ვერ მოუღო „ანარქიას“. ანკარის, სტამბოლისა და თ-ის სხვა მნიშვნელოვან რ-ნებში შემოღებული საგანგებო წესების პირობებში დაწყებული რეპრესიები, მ. შ. მასობრივი დაპატიმრებანი, თავს დაატყდა არა მარტო ექსტრემისტულ, არამედ, პირველ რიგში, დემოკრ. ორგანიზაციებსა და ჯგუფებს. აიკრძალა თ-ის მუშათა პარტია (თმპ) და სხვა დემოკრ. ორგანიზაციები; გაასამართლეს და დააპატიმრეს მრავალი პროგრ., საზ. და პოლიტ. მოღვაწე. გამწვავდა წინააღმდეგობანი პოლიტ. პარტიებში, ამ პარტიებისა და არმიის ხელმძღვანელობას შორის. პარტიებში მომხდარი განხეთქილებების შედეგად შეიქმნა ახ. პარტიები. პარლამენტი ფაქტობრივად პარალიზებული აღმოჩნდა.

შინაპოლიტ. კრიზისი განსაკუთრებით გამწვავდა 1973 გაზაფხულზე ჯ. სუნაის საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა ვადის გასვლასთან დაკავშირებით. ახ. პრეზიდენტად ფაჰრი კორუთურქი აირჩიეს (1973 აპრ.) კენჭისყრის 14 ტურის შემდეგ. პოლიტ. ცხოვრების ერთგვარი სტაბილიზაციის შედეგად 1973 შემოდგომაზე შესაძლებელი გახდა პარლამენტის არჩევნების ჩატარება, რ-ზეც დიდი წარმატება ხვდა სრპ-ს. პარტიამ დასძლია მისი რიგებიდან უხუცესი ლიდერის ი. ინენიუს გასვლითა და შიდა განხეთქილებით წარმოქმნილი კრიზისი; სათავეში ჩადგა ახ. ხელმძღვანელობა ბ. ეჯევითის მეთაურობით (1972 მაისში აირჩიეს პარტიის გენ. თავ-რედ). სრპ-მ პროგრ. ძალების მხარდაჭერის მოსაპოვებლად საარჩევნო პროგრამაში შეიტანა მოთხოვნები: მიწის რეფორმის ჩატარება, უცხო კაპიტალის პოზიციების შესუსტება, სახელმწ. სექტორის გაძლიერება, მუშებისა და ახალგაზრდობის ზოგიერთი უფლების დაცვა, პოლიტ. პატიმართა ამნისტია, საგარეო პოლიტიკაში—საბჭ. კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ სრპ-მ მეჯლისში აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მოიპოვა; ეჯევითის მიერ 1974 იანვარში შექმნილმა კოალიციურმა მთავრობამ, რ-შიც შედიოდნენ სრპ-ისა და ეროვნ. კეთილდღეობის პარტიის ლეპუტატები, მხოლოდ იმავე წლის სექტემბრამდე იარსება. 1974 ნოემბრიდან 1975 მარტამდე თ-ში მოქმედებდა უპარტიო საფუძველზე შექმნილი ე. წ. მოსამსახურე მთავრობა. 1975 წ. 31 მარტს სამართლიანობის პარტიის (სპ) ლიდერმა დემირელმა შექმნა ახ. კოალიციური მთავრობა, რ-შიც შეიდნენ აგრეთვე ეროვნ. კეთილდღეობის პარტიის (დაარსდა 1972), ნდობის რესპ. პარტიის (დაარსდა 1973) და ნაციონალისტური მოქმედების პარტიის (დაარსდა 1969) წარმომადგენლები. სრპ ოპოზიციაში იმყოფებოდა.

კვიპროსზე მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებასთან (1974 ივლ.) დაკავშირებით, თ-მა თავისი ჯარი გადასხა კუნძულზე, რამაც ხელი შეუწყო სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას კვიპროსის მოსახლ. თურქ. ნაწილში. მკვეთრად გაუარესდა თ.-საბერძნ. ურთიერთობა, გართულდა თ-ის ურთიერთობა ნატოს ზოგიერთ პარტნიორთან, მ. შ. აშშ-თან, რ-მაც 1974 დეკ. მას დროებით შეუწყვიტა სამხ. დახმარება.

ქრონ. პოლიტ. კრიზისს თ-ში კიდევ უფრო ამწვავებს ეკონ. სიძნელეების ზრდა. თ., რ-იც მოქცეულია იმპერიალიზმის ყველა ეკონ.. პოლიტ. და სამხ. გაერთიანებაში (საერთო ბაზარი, ნატო, სენტო), განიცდის მსოფლიო კაპიტალ. სისტემის კრიზისის გამანადგურებელ ზემოქმედებას. „საერთო ბაზრის“ განვითარებულმა სამრეწვ. სახელმწიფოებმა თ. იაფფასიანი მუშახელის წყაროდ და საქონლის გასაღების ბაზრად გადააქციეს. 1976 აექტ. უმუშევართა რაოდენობამ ქვეყანაში 2,5 მლნ-ს გადააჭარბა.

1977 აღინიშნა ქვეყნის ეკონ. შემდგომი დაქვეითებით, ინფლაციისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდით. მშრომელთა ფართო მასები, სხვადასხვა სოც. ფენის წარმომადგენლები სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდნენ მატერ. პირობების გაუმჯობესებას, თ-ის გამოსვლას სამხ.-პოლიტ. ბლოკებიდან, „საერთო ბაზართან“ ურთიერთობის პირობების გადასინჯვას. 1977 დაძაბულ, რთულ შინაპოლიტ. ვითარებაში საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სრპ-მ ბ. ეჯევითის მეთაურობით შექმნა (1978 იანვ.) ერთპარტიული მთავრობა, რ-მაც გამოაცხადა ე. წ. მემარცხენე ცენტრისტული კურსი. მთავრობა დაპირდა ხალხს შეხლუდული დემოკრ. გარდაქმნების გატარებას, აღიარა დას. სახელმწიფოებთან ხანგრძლივი, ცალმხრივი ეკონ. და სამხ.-პოლიტ. ინტეგრაციის უარყოფითი შედეგები, სასარგებლოდ მიიჩნია სსრკ-თან და სხვა სოციალ. სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაფართოება, საერთაშ. დაძაბულობის შენელებისათვის ხელის შეწყობა. 1978 ივნ-ში თ-მა სსრკ-თან ხელი მოაწერა პოლიტ. დოკუმენტს კეთილმეზობლობის და მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების, აგრეთვე შეთანხმებას შავი ზღვის კონტინენტური შელფის გამიჯვნის შესახებ, ხოლო ნოემბერში — 3-წლიან სავაჭრო ხელშეკრულებას საქონელბრუნვის ორჯერ გადიდების შესახებ. 1978 შინაპოლიტ. ვითარება მერყეევი რჩებოდა, გრძელდებოდა სოც. ჯგუფების შემდგომი პოლარიზაცია, რ-ისთვისაც დამახასიათებელია პროგრ. ძალების მომწიფება და დემოკრ. ფრონტად მათი კონსოლიდაციის პროცესი. 1979 დამდეგს ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა, უწინარეს ყოვლისა აშშ-მა, გააქტიურეს მეცადინეობა თ-თან სამხ.-ეკონ. კავშირურთიერთობის გაფართოება-გაღრმავების მიზნით.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 9; Ленин В. И., Пробуждение Азии, Полн. собр. соч., 5 изд., т. 23; его же, Телеграмма Мустафа Кемалю, идем, т. 52; Новичев А. Д, История Турции, т. 1—4, Л., 1963—78; Петросян Ю. А., Младотурецкое движение, М., 1971; Новейшая история Турции, М., 1968; Поцхверия Б. М., Внешняя политика Турции после второй мировой войны, М., 1976; Шамсутдинов А. М., Национально-освободительная борьба в Турции 1918—1923 гг., М., 1966; ბოსტაშვილი ნ., თურქეთის ბიბლიოგრაფია (ისტორია), თბ., 1971.

ვ. ჩოჩიევი.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

სახალხო-რესპუბლიკური პარტია (სრპ; Cumhuriyet Halk Partisi), დაარსდა 1923. გამოხატავს ქალაქის საშ. ფენების, ასევე ეროვნ. ბურჟ. ნაწილის ინტერესებს. **სამართლიანობის პარტია** (სპ; Adalet Partisi), დაარსდა 1961. გამოხატავს უხუც. კაპიტალთან მჭიდროდ დაკავშირებული მსხვილი სამრეწვ. და სავაჭრო ბურჟ. ინტერესებს. **ეროვნული კეთილდღეობის პარტია** (ეკპ; Millî Selâmet Partisi), დაარსდა 1972. შეიქმნა ეროვნ. წესრიგის პარტიის საფუძველზე, რ-იც აიკრძალა 1971 მისი ლიდერების უკიდურესად მემარჯვენე, კლერიკალური შეხედულების გამო. **დემოკრატიუ-**

ლი პარტია (დპ; Demokratik Parti), დაარსეს 1970 სპ-იდან გამოსულმა მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებმა. ნდობის რესპუბლიკური პარტია (ნრპ; Cumhuriyetçi Güven Partisi), შეიქმნა 1973 ეროვნ. ნდობის პარტიის რესპ. პარტიასთან შერწყმის შედეგად ნაციონალისტური მოქმედების პარტია (ნმპ; Milliyetçi Hareket Partisi), დაარსდა 1969 რესპ.-ალეხური ეროვნ. პარტიის (დაარსდა 1954) საფუძველზე. თურქეთის ერთობის პარტია (თეპ; Türkiye Birlik Partisi), დაარსდა 1971 ერთობის პარტიის (დაარსდა 1966) ბაზაზე. აიკრძალა 1971. დღევანდელი ფორმით არსებობს 1973-იდან. თურქეთის სოციალისტური მუშათა პარტია (თსმპ; Türkiye Sosyalist Işçi Partisi), დაარსდა 1974. თურქეთის მუშათა პარტია (თმპ; Türkiye Işçi Partisi), შეიქმნა 1961, აიკრძალა 1971, ხელახლა შეიქმნა 1975. თურქეთის სოციალისტური პარტია (თსპ; Türkiye Sosyalist Partisi), დაარსდა 1975. თურქეთის კომუნისტური პარტია (თკპ; Türkiye Komünist Partisi), დაარსდა 1920; 1923-იდან იატაკქვეშეთშია.

თ-ის მუშათა პროფკავშირების კონფედერაცია, დაარსდა 1952. თ-ის პროფკავშირების რევოლუციურ მუშათა კონფედერაცია, დაარსდა 1967. თურქი სტუდენტების ეროვნული კავშირი, დაარსდა 1919. თურქი ქალების კავშირი, დაარსდა 1930.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი ეკონომიკის ზოგადი დახასიათება.

თ. აგრ.-ინდუსტრ. ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ფეოდალიზმის გადმონაშთები, განსაკუთრებით სოფ. მეურნეობაში. შრომის საერთაშ. კაპიტალ. დანაწილებაში თ. ასრულებს აგრ.-სანედლეულო რ-ნის როლს და ეკონომიკურად დამოკიდებულია დას. ევრ. და აშშ-ის იმპერიალ. მონოპოლიებზე. ეყრდნობა რა სოციალ. ქვეყნების დახმარებას, თ. იბრძვის ეკონ. დამოუკიდებლობისათვის. სახელმწიფოს ხელშია რკინიგზის ტრანსპორტი და კავშირგაბმ. საშუალებანი მთლიანად, საზღვ. ტრანსპ. 1/2, საკრედიტო-საბანკო სისტემის საშუალებათა 3/4, დამუშავებითი მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 1/3, მოპოვებითი მრეწვ. 3/4 და ქვეყნის თითქმის მთელი ელექტროენერგეტიკა. ხორციელდება ქვეყნის ეკონ. განვითარების სახელმწ. გეგმები. ქვეყანაში შეიმჩნევა სურსათის ნაკლებობა, მოსახლ. არასრული დატვირთვა, სახელმწ. ბიუჯეტის ქრონ. დეფიციტი, სავაჭრო ბალანსის პასიური სალდო და სხვ. 1 სულ მოსახლეზე ეროვნ. შემოსავალი 1975 იყო 600 დოლ. — კაპიტალ. სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი. 1975 მთლიანი შოგა პროდუქტის 24,7%-ს იძლეოდა სოფ. მეურნეობა, 23,7%-ს — მრეწველობა (მშენებლობის გარეშე), 12,6%-ს — ვაჭრობა, 8,1%-ს — ტრანსპ. და კავშირგაბმულობა, 30,9%-ს — სხვა დარგები. 1960—70-იან წლებში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი.

სოფლის მეურნეობა. მემამულეები და კულაკები, რ-ებიც სოფლის მოსახლ. 10—12%-ს შეადგენენ, ფლობენ დამუშავებული მიწების თითქმის 2/3-ს. წვრილ და საშ. მეურნეობათა (სოფლის მოსახლ. დაახლ. 65%) წილად მოდის მიწების 1/3-ზე ნაკლები. სოფლის მოსახლ. თითქმის 25% უმიწაწყლოა.

სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მიწათმოქმედება, რ-იც სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების 2/3-ს იძლევა. მუშავდება (1974) 25,5 მლნ. ჰა (მთელი ტერიტ. 33%), სათესი ფართობის დაახლ. 80% უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, ძირითადად ხორბალსა და ქერს, რ-ებიც მოჰყავთ უმთავრესად ცენტრ. ანატოლიაში. ნაკლები მნიშვნელობა აქვს სიმინდს (შავი ზღვის სანაპირო), ჭვავს, შვრიასა და ბრინჯს. 1977 მოიყვანეს (მლნ. ტ): ხორბალი — 13,5, ქერი — 4,8, შვრია— 0,500, სიმინდი — 1,2. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექ. კულტურები: ბამბა (600 ათ. ტ, 1977), თამბაქო, შაქრის ჭარხალი, შირბახტი, სელი, კანაფი. მათ სათესი ფართობის 15% უჭირავთ. ბამბისა და თამბაქოს წარმოების მთავარი რ-ნებია ზღვის სანაპიროები, შაქრის ჭარხლისა — შიგა რ-ნები. თამბაქოს მოსავლითა და ექსპორტით თ. ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა მსოფლიოში (განსაკუთრებით ცნობილია თამბაქო „სამსუნი"). ბაღებსა და ვენახებს უჭირავს 3,3 მლნ. ჰა (4,2%). ყურძენი, ლეღვი, ზეთისხილი, ციტრუსები მოჰყავთ უმთავრესად ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მსხალი, ვაშლი, კომში, ქლიავი, გარგარი, ატამი — ყველგან. შავი ზღვის სანაპიროზე აშენებენ ჩაის (დაახლ. 200 ათ. ტ წელიწადში). აგროვებენ თხილს, უმთავრესად ჩრდ. ანატოლიაში (მსოფლიო მოსავლის დაახლ. 2/3; 290 ათ. ტ, 1977) და კაკალს (დაახლ. 170 ათ. ტ წელიწადში).

მეცხოველეობა სოფ. მეურნ. მნიშვნელობით მეორე დარგია. თ-ის ფართობის დაახლ. 1/3 უჭირავს მდელოებსა და საძოვრებს, მაგრამ ისინი ნაკლებადაა გამოყენებული. 1976 თ-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 15,2, ცხვარი — 41,5, თხა — 18,5 (მ. შ. 3,5 მლნ. ანგორული). თ. ანგორული თხის მატყლის ერთ-ერთი მსოფლიო მიმწოდებელია. ბურსის რ-ნში განვითარებულია მეაბრეშუმეობა. მისდევენ თევზჭერას (300 ათ. ტ, 1977). სამრეწვ. მნიშვნელობისაა ქამსა, თინუსი, სკუმბრია, სტავრიდა, კეფალი. ამზადებენ ხე-ტყეს (ტყეს უჭირავს 20 მლნ. ჰა, ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 25%).

მრეწველობა. მრეწვ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. 82%-ს დამუშავებითი მრეწვ. იძლევა, დაახლ. 10%-ს — მოპოვებითი მრეწვ., 7—8%-ს — ენერგეტიკა.

ენერგეტიკა და მოპოვებითი მრეწველობა. ენერგეტ. ბალანსის საფუძველია ქვანახშირი (უმთავრესად ზონგულდაქ-ერეგლის რ-ნი) და მურა ნახშირი (ქუთაჰიის რ-ნი), აგრეთვე ნავთობი (ქვეყნის სამხრ.-აღმ. ნაწილი). ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეა დაახლ. 3,4 გეტ. იღებენ ქრომიტებს (გულემანის, ესქიშეჰირის და სხვ. რ-ნები; 645 ათ. ტ, 1975), რითაც თ. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალ. და განვითარებად ქვეყნებს შორის, ბორატებს (უმთავრესად ბანდირმა; 971 ათ. ტ), სტიბიუმის, რკინის, ვოლფრამის, სპილენძის, მანგანუმის, პოლიმეტალების, ვერცხლისწყლის მადანს, ბოქსიტებს, გოგირდს.

დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგებია კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა და ქიმ. მრეწველობა. კვების მრეწვ. წარმოდგენილია მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და თევზჭერის პროდუქტების გადასამუშ. საწარმოებით. არის 18 შაქრის ქ-ნა, 10-ზე მეტი ხორცკომბინატი, 15 რძის ქ-ნა, მცენარეული ზეთის, ბოსტნეულისა და თევზის საკონსერვო ქ-ნები. თამბაქოს ყველაზე დიდი ფ-კებია სტამბოლში, იზმირში, სამსუნში, ადანასა და მალათიაში, საფეიქრო ფ-კები — სტამბოლში, იზმირში, ადანასა და სხვა ქ-ებში. ცემენტის წარმოების ცენტრებია სტამბოლი, ანკარა, სივასი და სხვ., მინისა და მინის ნაკეთობათა — ფაშაბახჩე (სტამბოლი), ჩაიიროვა, იზმირი და ადაფაზარი. ქაღალდის ფ-კებია იზმითში, დალამანში, გირესუნში. ყველაზე დიდი სახერხი ქ-ნებია სტამბოლში, აიანჯიქში, ზონგულდაქში, სინოპში, ორდუში, რიზეში, ავეჯის ფ-კები — სტამბოლში, ანკარაში, იზმირსა და ადანაში.

ქიმ. მრეწვ. პროდუქციის მთავარ ნაწილს იძლევა მინერ. სასუქების ქ-ნები (ქუთაჰია, ისქენდერუნი, მერსინი, სამსუნი და სხვ.). საყოფაცხოვრებო ქიმ. საწარმოებია დიდ ქ-ებში, ავტოსალტეების ქ-ნებია იზმითსა და ადაფაზარიში.

ვითარდება შავი მეტალურგია (ყარაბუქი, ერეგლი), სსრკ-ის დახმარებით შენდება (1978) ისქენდერუნის მეტალ. ქ-ნა (პირველი რიგი დამთავრებულია). ფერადი მეტალ. საწარმოებია ანთალიაში, სამსუნში, ერგანიში, მურგულში, ქებანში, სეიდიშეჰირში, უშვებენ ლითონდასამუშ. ჩარხებს, საქსოვ დაზგებს, ორთქლის ქვაბებს, სხვადასხვა წნეხსა და ელექტრომოწყობილობას; არის სატრანსპ. (ლოკომოტივები, ვაგონები, გემები, ავტომობილები), სას.-სამ. (ტრაქტორები, კომბაინები, გუთნები) მანქანათსაშ. საწარმოები. იმპორტული დეტალებისაგან აწყობენ მაცივრებს, სარეცხ მანქანებს და სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებს. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

ცხრ. 1.—მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1950	1960	1975
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ·სთ*)	0,8	2,8	15,6
ქვანახშირი (მლნ. *ტ*)	2,8	3,6	4,8
მურა ნახშირი (მლნ. *ტ*)	0,7	1,3	6,2
ნავთობი (ათ. *ტ*)	17	375	3100
ქრომის მადანი* (ათ. *ტ*)	207	221	232
რკინის მადანი** (ათ. *ტ*)	143	444	1297
სტიბიუმის მადანი** (ათ. *ტ*)	1,3	1,4	5,9***
მანგანუმის მადანი** (ათ. *ტ*)	16	17,5	6,6***
სპილენძი პირველადი (ათ. *ტ*)	12	27	27
ნავთობპროდუქტები (მლნ. *ტ*)	—	3,5	12,3
თუჯი (ათ. *ტ*)	113	248	1300
ფოლადი (ათ. *ტ*)	91	265	1809
ცემენტი (ათ. *ტ*)	396	2040	10850
ქაღალდი და მუყაო (ათ. *ტ*)	18	56	367
ბამბის ქსოვილები (მლნ. *მ*)	152	517	1225
შალის ქსოვილები (მლნ. *მ*)	9	23	49
შაქარი (ათ. *ტ*)	141	644	806

* Cr_2O_3-ის შემცველობის მიხედვით. ** ლითონის შემცველობის მიხედვით. *** 1973.

ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 8,1 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 53,5 ათ. *კმ*. (1977). 1976 ავტოპარკში იყო 292,7 ათ. მსუბუქი ავტომობილი, 241,2 ათ. — სატვირთო, 64,6 ათ. — ავტობუსი. სავაჭრო საზღვ. ფლოტის ტონაჟია 1288,3 ათ. *ტ* (1977). მთავარი ნავსადგურებია სტამბოლი, მერსინი, იზმითი, იზმირი, ისქენდერუნი, სამსუნი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტებია იეშილქოი (სტამბოლი), ესენბოღა (ანკარა), ჩიგლი (იზმირი), ადანა.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1976 ექსპორტმა შეადგინა 1960,2 მლნ. დოლ., იმპორტმა — 5128,6 მლნ. გააქვთ სოფ. მეურნ. პროდუქცია (ბამბა, თამბაქო, ხმელი ხილი, კაკალი), მზა სამრეწვ.



მიწის მექანიზებული დამუშავება იზმირის მიდამოებში.

ჩუბუქის წყალსაცავი.

მინიატიურა ე. წ. „სუმბულის წიგნიდან.“ XVIII ს. თოფქაფის სასახლის მუზეუმი. სტამბოლი.

ნაწარმი (ქსოვილები, სასმელი, ქიმ. საქონელი) და სამრეწვ. ნედლეული (შავი და ფერადი ლითონების მადანი). შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, სატრანსპ. საშუალებანი, ნაწილობრივ მოხმარების საგნები. მთავარი საგარეო-სავაჭრო პარტნიორებია გფრ, აშშ, იტალია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი.

1960-იანი წწ. შუა ხანებიდან ფართოვდება საგარეო ეკონ. კავშირი სოციალ. ქვეყნებთან, უმთავრესად სსრკ-თან. 1976 სსრკ-ის წილად მოდიოდა ექსპორტის 4% და იმპორტის 2%. სსრკ-ის დახმარებით აშენდა ნავთობგადასამუშ. (იზმირი), გოგირდმჟავას (ბანდირმა), მერქანბოჭკოვანი ფილების (ართვინი), ალუმინის (სეიდიშეჰირი) ქ-ნები. 1973 ოქტში დაიდო სსრკ-თ-ის ხელშეკრულება მდ. ახურიანზე (დას. არფაჩაი) კაშხლის ერთობლივი მშენებლობის შესახებ.

განვითარებულია ტურიზმი. 1977 თ-ში იმოგზაურა 1 მლნ-ზე მეტმა უცხოელმა ტურისტმა, უცხოეთის ტურიზმიდან შემოსავალმა შეადგინა 230 მლნ. დოლარი.

ლიტ.: Джиллов Х., Экономика Турции, пер. с тур., М., 1971; Моисеев П. П., Аграрный строй современной Турции, М., 1970; Турецкая Республика (Справочник), М., 1975.

VIII. შეიარაღებული ძალები

თ-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. შეიარაღებულ ძალებს უშუალოდ თავდაცვის მინისტრი ხელმძღვანელობს. ჯარები კომპლექტდება სამხ. ვალდებულების წესით. სავალდებულო სამხ. სამსახურის ვადაა 20 თვე. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა (1975) — დაახლ. 455 ათ. კაცი. სახმელეთო ჯარების (დაახლ. 367 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 15 დივიზია, 13 ცალკე ბრიგადა, 2 ჯავშანკავპოლკი, არამართული რეაქტიული ჭურვების „ონესტ-ჯონის“ 3 დივიზიონი, საარტ., საინჟინრო და სხვ. ნაწილები. შეიარაღება უმთავრესად აშშ-ის წარმოებისაა. სამხ.-საჰაერო ძალებში (46 ათ. კაცი) დაახლ. 300 საბრძოლო თვითმფრინავია. მის შემადგენლობაშია აგრეთვე საზენიტო მართული რეაქტიული ჭურვების „ნაიკ-ჰერკულესის“ 2 დივიზიონი. სამხ.-საზღვ. ძალების (დაახლ. 40 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 15 წყალქვეშა ნავი, 14 საესკადრო ნაღმოსანი, 7 საბადრაგო ხომალდი, 11 სატორპედო, 27 საარტ. და 14 სხვ. კატარღა; სამხ.-საზღვ. ბაზებია — გოლჯუქი, სტამბოლი, იზმირი და სხვ. თ-ის შეიარაღებული ძალების შენაერთებისა და ქვეგანყოფების უმეტესი ნაწილი ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1974 შობადობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 41,2, საერთო სიკვდილიანობა —14,5; ბავშვთა სიკვდილიანობა — 90—150 ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე (ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს). სიკვდილიანობის მთავარი მიზეზებია გულსისხლძარღვთა დაავადებანი, ავთვისებიანი სიმსივნეები და სხვ. 1971 აღირიცხა ტუბერკულოზის აქტ. ფორმით დაავადების 450 ათ-ზე მეტი შემთხვევა. გავრცელებულია მალარია, კეთრი (ენდემური), ტრაქომა, პოლიომიელიტი.

1963-იდან ჯანდაცვის სამინისტრო ატარებს ჯანდაცვის სამსახურის ნაციონალიზაციის პოლიტიკას. 1972 თ-ში იყო 768 საავადმყოფო დაწესებულება (75,5 ათ. საწოლით; 2,1 საწოლი 1 ათ. მცხოვრებზე), მათგან 586 სამკურნ. დაწესებულება (490 ათ. საწოლით) სახელმწ. საკუთრებაა. 1972 მოსახლეობას საავადმყოფოსგარეშე დახმარებას უწევდა საავადმყოფოების 371 პოლიკლინიკური დაწესებულება, 437 კერძო პოლიკლინიკა, 292 სამედ. ცენტრი, 872 ჯანდაცვის ცენტრი, 2,4 ათ. ჯანპუნქტი, დედათა და ბავშვთა დაცვის 62 ცენტრი, ბავშვთა დახმარების 759 პუნქტი და 301 დისპანსერი. 1973 თ-ში მუშაობდა 22,8 ათ. ექიმი (1 ექიმი 1,6 ათ. მცხოვრებზე), მათგან 8,8 ათ. სახელმწ. სამსახურში იყო (1971), 4,3 ათ. სტომატოლოგი, 4,8 ათ. ფარმაცევტი და 21,6 ათ. საშ. მედ.-მუშაკი (1972). ექიმებს ამზადებს 5 უნ-ტის სამედ. ფაკ-ტები და 7 უმაღლესი სამედ. სასწავლებელი, საშ. სამედ. პერსონალს — 60-ზე მეტი სხვადასხვა სასწავლებელი.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

კანონი საყოველთაო სავალდებულო უფასო დაწყ. განათლების შესახებ თ-ში არსებობს 1924-იდან. 1976 თ-ის 118 სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 3 ათ-მდე აღსაზრდელი. 5-წლიან (3+2) დაწყ. სკოლაში შედიან 7 წლის ასაკის ბავშვები; 1975 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 5,4 მლნ. მოსწავლე. საშ. სკოლა 6-წლიანია, აქვს ორი საფეხური: არასრულ საშ. სკოლაში (3 წელი) სწავლება უფასოა, სრულში (ლიცეუმები, კოლეჯები, სწავლება 2—4 წელი) — ფასიანი. 1976 წ. I საფეხურის საშ. სკოლაში სწავლობდა 915,4 ათ. მოსწავლე. II საფეხურის სკოლაში — 332 ათ., 3—5-წლიან პროფტექ. განათლებას იღებენ ტექ. პროფილის ინ-ტებში, სას.-საშ. სკოლებში, პროფ. ლიცეუმებსა და კურსებზე. 1975 პროფტექ. ინ-ტებსა და ლიცეუმებში სწავლობდა 370 ათ. კაცი. დაწყ. და არასრული საშ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პროფ. პედ. ინ-ტები (1975 სწავლობდა 127 ათ-ზე მეტი მოსწავლე), საშ. სკოლის მასწავლებლებს— ე. წ. „აღზრდის ინსტიტუტები“. უმაღლესი სასწავლებლებია 4—6-წლიანი უნ-ტები, აკადემიები და უმაღლესი სკოლები. 1971 კანონით ყველა უმაღლესი სასწავლებელი გახდა სახელმწ. სასწავლებელი. არის 11 უნ-ტი; სტამბოლისა (დაარსდა 1453; 35 ათ. სტუდენტი), ანკარისა (დაარსდა 1946; 16 ათ. სტუდენტი), ეგეოსისა იზმირში (დაარსდა 1955; 16 ათ. სტუდენტი), ათათურქის სახ. ერზურუმში (დაარსდა 1957; 5 ათ. სტუდენტი) და სხვ. არის აგრეთვე სტამბოლის სახელმწ. საინჟინრო-არქიტ. აკად., ნატიფი ხელოვნ. სტამბოლის სახელმწ. აკად. და სხვ.; ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 217 ათ. სტუდენტი (1975).

თ-ში არ არის სამეცნ. დაწესებულებათა ერთიანი სისტემა და საკოორდინაციო ცენტრი. სამეცნ.-კვლ. მუშაობას ერთგვარ კოორდინაციას უწევს სახელმწ. საგეგმო ორგანიზაცია (განსაზღვრავს კვლ. მუშაობის ძირითად მიმართულებებს), თ-ის სამეცნ.-ტექ. კვლ. საზ-ბა (დაარსდა 1963, ექვემდებარება მინისტრთა საბჭოს) და სხვადასხვა სამინისტრო. 60-იანი წლებიდან თ-ის მთავრობამ სამეცნ.-კვლ. მუშაობისათვის გამოყო 400 მლნ. ლირა, რ-იც თითქმის ერთნაირად ნაწილდება სახელმწ. და კერძო სამეცნ. დაწესებულებებზე. გარდა ამისა, არის სპეც. ფონდი (400 მლნ. ლირა) სამეცნ.-კვლ. მუშაობის სახელმწ. სექტორისათვის. სამეცნ. მუშაობის ძირითადი ცენტრებია უნ-ტები. ზოგიერთი სამინისტროს გამგებლობაშია სამეცნ. ჯგუფები; მსხვილ კერძო საწარმოებს აქვთ საკუთარი სამეცნ. ლაბორატორიები მეცნ. მუშაკთა მცირე შტატითურთ. თ-ში სულ 10 ათ-მდე მეცნ. მუშაკია, რ-თა 38% მუშაობს სამედ. დარგში, 26% — სოფ. მეურნეობაში, 22% — ტექ., 14% — ჰუმანიტარულ მეცნ. დარგებში. თ-ის სამეცნ.-კვლ. მუშაობის განვითარებას აფერხებს თურქ მეცნიერთა იმიგრაცია ამერ. და ევრ. ქვეყნებში სამეცნ. მუშაობის უკეთესი პირობების საძებნელად.

დიდი ბ-კებია: ეროვნ. ანკარაში (1946; 550,7 ათ. ტ.), ანკარის უნ-ტისა (1950; 430 ათ. ტ.), სტამბოლის უნ-ტისა (1925; 250 ათ. ტ., 18,6 ათ. ხელნაწერი) და სხვ.

დიდი მუზეუმებია: არქეოლ. (1923) და ეთნოგრ. (1927) — ანკარაში, თურქ. და ისლამური კულტ. (1914), თურქი იანიჩარიბისა (1726), თოფქაფის სასახლისა — სტამბოლში და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1976 თ-ში გამოდიოდა 900-ზე მეტი გაზეთი და 600 ჟურნალი (დიდი ნაწილი ანკარასა და სტამბოლში თურქ. ენაზე). მნიშვნელოვანი გაზეთებია: „ადალეთი“ („Adalet“, 1962-იდან, ტირაჟი 16,5 ათ. ც.), „გუნაიდინი“ („Günaydın“, 1968-იდან, ტირაჟი 272,6 ათ. ც.), „ჯუმჰურიეთი“ („Cumhuriet“, 1923-იდან, ტირაჟი 90 ათ. ც.), „იენი ისტანბული“ („Yeni Istanbul“, 1949-იდან, ტირაჟი 29,2 ათ. ც.), „მილლიეთი“ („Milliyet“, 1950-იდან. ტირაჟი 329 ათ. ც.), „თერჯუმანი“ („Tercüman“, 1961-იდან, ტირაჟი 415 ათ. ც.), „ჰურრიეთი“ („Hürriyet“, 1948-იდან, ტირაჟი 650 ათ. ც.), „რესმი გაზეთე“ („Resmî Gazete“, 1920-იდან); ჟურნალები — „ოზგურ ინსანი“ („Özgür insan“, 1972-იდან) — სრპ-ის თეორ. ორგანო და სხვ. თ-ის წამყვანი საინფორმაციო სააგენტოა ანატოლიის სააგენტო (დაარსდა 1920). რადიოგადაცემებია 1927-იდან, ტელეგადაცემები — 1968-იდან.

XII. ლიტერატურა

თურქ. წერილობით ლიტ-რას საფუძველი ჩაეყარა XIII ს-ში, როცა, მცირე აზიაში დამკვიდრდა ისლამი და გავრცელდა რელიგ.-ფილოს. მოძღვრება *სუფიზმი*. ერთ-ერთი ადრინდ. სუფიური ნაწარმოებია აპმედ ფაკიპის (XIII ს. I ნახ.) „ჩარხნამე“ („ბედის წიგნი“).

თურქ. საკარო ე. წ. დივანის ლიტ-რის შემდგომი განვითარება ბევრით განსაზღვრა ჯალალ ად-დინ *რუმის* შემოქმედებამ, ხოლო აშუღური და თექეს (დერვიშული) ლიტერატურისა — *იუნუს ემრეს* მხატვრულმა საქმეარომ. XIII ს. სუფიური მიმდინარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია აგრეთვე *აშიკ-ფაშა*. სუფიური ლიტ-რის მქადაგებლურმა ხასიათმა განაპირობა ამ პერიოდის თურქ. ლიტ-რის სპეციფიკურობაც: უბრალო, გასაგები ენა, იგავ-ვერი სტილი, ფოლკლორული მასალის მოშშველიება, მისტ.-რელიგ. თემატიკა. პარალელურად იქმნებოდა საერო ლიტ-რაც (მაგ., დეჰანის პოეზია), ხოლო XIV ს. დასასრულს და XV ს. დასაწყისში ამ მიმართულებამ საგრძნობლად მოიკიდა ფეხი. განვითარების ახ. საფეხურს მიაღწია დივანის ლიტ-რამ, რ-მაც მჭიდრო კავშირი დაამყარა სპარს. კლასიკურ ლიტ-რასთან, თანდათან დაშორდა ხალხ. პოეზიას, ეროვნ. ნიადაგს, რეალურ ყოფას. ლექსში გაბატონდა არაბ. არუზი (იხ. *არუდი*). „დივანის ლიტერატურა“ კანონიკური ხასიათისაა, წინასწარაა განსაზღვრული თემა და მისი გადმოცემის წესიც, სუბიექტური მომენტი მინიმუმამდეა დაყვანილი. ამ პერიოდისთვის იწერებოდა როგორც ლირ. ხასიათის ლექსები, ასევე დიიდტანიანი სამიჯნურო-სარაინდო ხასიათის პოემები, რ-ებიც განსაკუთრებით გავრცელდა XIV ს. II ნახევრიდან (მაგ., ააჰმედის „ისქანდერნამე“, „ჯემშიდ და ხურშიდი“ და სხვ.). ცალკე აღსანიშნავია XV ს. პოეტის შეიხის (გ. 1428) მესნევიები „ხოსროვ და შირინი“ და „ხარნამე“ („ვეირების წიგნი“), რ-იც თურქ. ლიტ-რაში სატირის პირველი ნიმუშია, და ლირ. ლექსების დივანი, სადაც უკვე თვალსაჩინოა

თურქ. ლექსის კლასიკური, კანონიზირებული ხასიათი.

XV–XVI სს. მიჩნეულია თურქ. ლირიკის განვითარების ოქროს ხანად. დაიხვეწა ლექსის არქიტექტონიკა, მუსიკა, მხატვრული სახით მეტყველება. თუმცა ამ პერიოდის დიჯანის ლიტ-რაშიც სიყვარულის ინტერპრეტაცია მთლიანად ექვემდებარებოდა დაკანონებულ წესებს. მაგრამ ჭეშმარიტი პოეტები ახერხებდნენ ამ ზოგადსა და დაკანონებულში საკუთარი ხმის წარმოჩენას. XV ს-ში სახელი გაითქვეს *აჰმედ-ფაშამ*, ისა *ნეჯათიმ*, ისა მესიხიმ (გ. 1512, ღირ. ლექსებისა და პოემა „შეჰრენგიზის“ ავტორი), ჯაფარ ჩელებიმ („ჰევესნამეს“ — „ვნებათა წიგნის“ ავტორი) და ილიას რევანიმ („იშრეთნამეს“ — „ლხინის წიგნის“ ავტორი). XVI ს. ლირიკოსი პოეტები იყვნენ *ბაკი*, ზათი (გ. 1546), ჰაიალი (გ. 1557), *რუჰი ბაღდადი* და სხვ. სამიჯნურო-საგმირო ეპოსის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი *ლამიმ* და იაჰია ბეი თაშლიჯალიმ, რ-ებმაც შექმნეს ხუთ-ხუთი მესნევი.

XVII ს. სახელმწ. კრიზისმა განაპირობა სატირული ნაკადის მომძლავრება, რამაც ახ. ტენდენციები წარმოშვა დივანის ლიტ-რაში (ვეისი, გ. 1629, *ნეფი*).

ძვ. თურქ. ლიტ-რის უკანასკნელი წარმომადგენლები არიან იუსუფ *ნაბი*, ალაედინ საბითი (გ. 1719), აჰმედ ნედიმი (1681–1731) და შეიხ გალიბი.

XIX ს. დასაწყისში რეფორმების (თანზიმათის) პერიოდში განვითარდა ახ. თურქ. ლიტ-რა, რ-შიც აისახა ევრ. ბურჟ.-განმან. იდეები, რეალისტური ტენდენციები, გაჩნდა ახ. ჟანრები — ნოველა, რომანი, დრამა. გაძლიერდა ინტერესი ფოლკლორისადმი, ბრძოლა სალიტ. ენის ხალხ. სასაუბრო ენასთან დაახლოებისათვის.

თანზიმათის უდიდესი წარმომადგენლები არიან *იბრაჰიმ შინასი, ნამიქ ქემალი*, შამსედინ სამი (1860–1904), *აჰმედ მიდჰათ-ფაშა*, ნაბიზადე ნაზიმი (1862–94) და სხვ.

აბდულჰაქ ჰამიდ თარპანმა და რეჯაიზადე ექრემმა (1847–1913) თურქ. ლექსში შეიტანეს კომპოზ. მთლიანობა, თემატური ერთიანობა, ტრად. მხედველობითი რითმა შეცვალეს სმენითი რითმით.

თანზიმათის ლიტ-რა წარმოადგენს გარდამავალ ხანას დივანის ლიტერატურიდან ახ., რეალისტური ლიტ-რისაკენ.

70–80-იანი წწ. დასასრულს ოსმალეთში გაბატონებულმა რეაქციამ გამოიწვია ლიტ-რაში მისტ.-დეკადენტური განწყობილებების მომძლავრება. ამ პერიოდის ლიტ-რა ცნობილია „სერვეთი ფუნუნის ლიტერატურის“, ხოლო მწერლები ჯენაბ შეჰაბედინი (1870–1934), ჯელალ საჰირი (1883–1930), ფაიქ ალი (1875–1950), ჰუსეინ სუადი (1867–1942) — სერვეთიფუნუნვლების სახელით (ჟურნ. „სერვეთი ფუნუნის“ სახელწ. მიხედვით). ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ პროზაიკოსები *ჰალიდ ზია უშაქლიგილი*, მეჰმედ რაუფი (1874–1932), ჰუსეინ ჯაჰით იალჩინი (1874–1957), აჰმედ ჰიქმეთი (1870–1927), *ჰუსეინ რაჰმი გურფინარი*. 1901 ჟურნ. „სერვეთი ფუნუნი“ დაიხურა და ლიტ. ცხოვრებაც ჩაკვდა.

ახალგაზრდა თურქების 1908 რევ. შემდეგ შეიქმნა ახ. ლიტ. წრე „ფეჯრი ათი“ („მომავალი განთიადი“), რ-მაც გააერთიანა ძვ. და ახ. თაობების მწერლები: ჯელალ საჰირი, ფაიქ ალი, *აჰმედ ჰაშიმი*, იაჰია ქემალი (1885–1950), *იაკუბ კადრი* (ერთი წლის შემდეგ წრე დაიშალა).

1909–10 თურქ. ლიტ-რაში თავი იჩინა ცალკეულმა მიმართულებებმა. მწერალთა ნაწილი (ოსმანისტები) უმღეროდა ოსმ. იმპერიის ისტ. წარსულს, იცავდა ძვ. მაღალფარდოვან სტილს, ეწინააღმდეგებოდა ენის გამარტივების ტენდენციას (აჰმედ ჰაშიმი, ჯენაბ შეჰაბედინი, იაჰია ქემალი). მეორე ნაწილი ახ. ეროვნ. მიმართულების წარმომადგენლად აცხადებდა თავს, იღვწოდა ენის სიწმინდისათვის, უარს ამბობდა პოეზიაში ძვ. ფორმასა და მეტრზე, მხარს უჭერდა ეროვნ. „ჰეჯეს“ (მარცვლოვან ლექსს).

მწერალთა ნაწილმა განიცადა პანთურქიზმის გავლენა (*ზია გოკალფი*, ადივარ ჰალიდე ედიფი, აჰმედ ჰიქმეთი, *ომერ სეიფედინი*).

თევფიქ ფიქრეთმა, რ-იც გაბედულად ამხელდა „ახალგაზრდა თურქების“ სახელმწ. პოლიტიკას, საფუძველი ჩაუყარა დემოკრ. მიმართულებას ლიტ-რაში.

I მსოფლიო ომში ოსმ. დამარცხების შემდეგ ლიტ-რა დაცემის გზას დაადგა, მაგრამ ეროვნ.-განმათ. ბრძოლის წლებში (1918–22) კვლავ გამოცოცხლდა.

რესპ. შექმნის შემდეგ თურქ. ლიტ-რა აღმავლობას განიცდის. გაფართოვდა თემატიკა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი რეალიზმმა. მწერალთა ძირითადი თემაა ეროვნ.-განმათ. ბრძოლა. ე. წ. „ქემალისტური“ ჯგუფი (იაკუბ კადრი, ჰალიდე ედიფი, მეჰმედ რაუფი) ქადაგებდა ხალხის ეროვნ. ერთიანობის გზით კლასობრივი საზღვრების წაშლის იდეას. მწერალთა მეორე ჯგუფი კრიტ. რეალიზმის მეთოდს მისდევდა და უპირისპირდებოდა „ქემალისტებს“ (სადრი ერთემი, 1900–43; რეშად ენისი, დ. 1909, *საბაჰათინ ალი, რეშად ნური გუნთეკინი*).

თვალსაჩინო მოვლენაა *ნაზიმ ჰიქმეთის* შემოქმედება, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა თურქ. რევ. პოეზიას.

II მსოფლიო ომის წინა პერიოდში თ-ში გააქტიურდნენ პანთურქისტული საზ-ბები. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს მოწინავე მწერლები და პუბლიცისტები (საბაჰათინ ალი, *სუად დერვიში* და სხვ.). ამავე წლებში თვალსაჩინოა თურქ. პოეზიის განახლების ცდა — ე. წ. „სამთა მანიფესტი“ (ლექსთა კრებ. „უცნაური“, 1941), რ-ის ავტორები არიან *ორჰან ველი ქანიქი*, მელიპ ჯევდეთ ანდაი და ოქთაი რიფათ ხოროზჯუ (დ. 1914). ლექსში გაჩნდა სიახლეები ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. მაჰმუდ მაკალის (დ. 1930) ნაწარმოებებმა სათავე დაუდო ე. წ. გლეხურ ლიტ-რას. ამ თემაზე წერენ იაშარ ქემალი (დ. 1922), *ორჰან ჰანჩერლიოღლუ*, ფაქირ ბაიკურთი (დ. 1929), *ორჰან ქემალი*. 60-იან წლებში თურქ. პროზაში წამყვანი ჟანრია რომანი. ომერ სეიფედინისა და *საით ფაიქის* ხაზს აგრძელებენ ნოველისტი მწერლები ილხან თარუსი (დ. 1907), ოქთაი აკბალი (დ. 1923), ნეჯათი ჯუმალი (დ. 1921), *აზიზ ნესინი*, ჰალდუნ *თანერი* და სხვ. პოეტების ერთი ნაწილი (ფაზილ ჰუსნუ დაღლარჯა, ბედრი რაჰმი ეიუბოღლუ, ზია ოსმან საბა და სხვ.) აგრძელებს თურქ. ლიტ-რის დემოკრ. ტრადიციებს, მეორე ნაწილი კი ფორმალიზმს მისდევს, ქადაგებს „უაზრო“ პოეზიის იდეას. მსგავსი მოვლენა შეინიშნება პროზაშიც, მაგრამ მთლიანად თურქ. ლიტ-რაში საკმაოდ ძლიერია პროგრ.-დემოკრ. ნაკადი.

ლიტ.: Алькаева Л. О., Очерки по истории турецкой литературы, М., 1959; Алькаева Л. О., Бабаев А. А., Турецкая литература. Краткий очерк, М., 1967; Боролина И. В., Турецкая литература, წგნ.: Литература Востока в средние века, ч. 2, М., 1970; Гарбузова В. С., Поэты средневековой Турции, Л., 1963; Джавелидзе Э. Д., У истоков турецкой литературы, I. Джелаль-ед-дин Руми. Тб., 1979.

ე. ჯაველიძე. ი. გოცირიძე.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

თ-ის ხელოვნება ვითარდებოდა ბიზანტ., ირანის, საქართვ., სომხ., შუა აზიისა და არაბ. ქვეყნების კულტურათა ბაზაზე. გავლენამ თავი იჩინა XII–XIII სს. სელჩუკებისა და XIV–XV სს. რენესანსული ხანის ხუროთმოძღვრულ ფორმებსა და დეკორში, აგრეთვე სამშენებლო ტექნიკასა და დაგეგმარებაში. მოგვიანებით ყალიბდება თ-ის ეროვნ. სტილი, რ-ის განვითარება დაკავშირებულია არქიტ. კოჯა სინანის (1489–1588, მეჩეთი სულეიმანიე, სტამბოლი, 1557) შემოქმედებასთან. XVI ს. შუა ხანებში ჩამოყალიბდა მინიატიურისა და კალიგრაფიის სკოლა. ფერწერა და ქანდაკება ვერ განვითარდა, ვინაიდან ისლამი კრძალავდა ადამიანისა და ცხოველის გამოსახვას. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხალიჩებისა და კერამ. ნაწარმის დამზადებას. XVIII ს-ში არქიტექტურასა და სახვ. ხელოვნებაში ძლიერდება სხვადასხვა ევრ. სტილის გავლენა. 1882 გაიხსნა ნატიფი ხელოვნ. სკოლა (1927-იდან სამხატვრო აკადემია, დააარსა ოსმან ჰამდიმ, 1842–1910). 1929 შეიქმნა „დამოუკიდებელ მხატვართა და მოქანდაკეთა კავშირი“, ხოლო 1933 — „ჯგუფი დ“, რ-შიც შედიოდნენ გამოჩენილი მხატვრები: იბრაჰიმ ჩალი, ჯემალ ტოლუ, ნურულა ბერქი და სხვ. 1960–70-იან წლებში თ-ის სახვ. ხელოვნება წინააღმდეგობებითაა აღსავსე. ამ დროს მოღვაწეობდნენ რეალისტი-მხატვრები ი. ბალაბანი, ტ. ზაიმი; მოდერნისტები ს. ბერქელი და სხვ. განვითარდა კერამიკა, კარიკატურა, გრაფიკა. რესპ. თ-ის წლებში აშენდა *მოდერნისა* და *კლასიციზმის* სტილის ბევრი საცხოვრ. სახლი, ადმ. და საზ. შენობა (სტამბოლის ეთნოგრ. მუზეუმი, 1924, არქიტ. ა. ხ. ქოიუნოღლუ; „აქბანკი“, 1971, არქიტ. ს. ხ. ელდემი; „ოტელ სტადი“ ანკარაში, 1960, არქიტ. მ. ჰეფგულერი და სხვ.).

ლიტ.: Всеобщая история архитектуры, т. 8, 11, М., 1969–73; Миллер Ю., Искусство Турции, М.–Л., 1965.



მავზოლეუმი დონერ-ქუმბეთი. კაისერი. 1276.

XIV. მუსიკა

თ-ის მუსიკას უძველესი ტრადიციები აქვს. საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა თურქ. ხალხ. და პროფ. მუს. ხელოვნება. ტრად. მუსიკა არაბ.-ირან. კულტურას უკავშირდება (მაკამი, ფასილი). ხმა შეიცავს თანაბარი რიტმის მცირედიაპაზონიანი მელოდიის მქონე ნაწარმოებებს — კირიკ ჰავას (მოკლე მელოდია) და დიდდიაპაზონიანი გარკვეული მეტრორიტმული სქემის ფარგლებს გაცილებულ ნაწარმოებებს — უზუნ ჰავას (გრძელი მელოდია). თურქ. მელოსისათვის დამახასიათებელია ბგერათრიგის ქრომატულად ცვალებადი საფეხურების ხშირი შეპირისპირება, კილოს ცვალებადობა. მრავალრიცხოვან კილოთაგან გამოიყოფა 13–15 მთავარი კილო. პოპულარულია აქსაქრიტმი („კოჭლი“ რიტმი), უნისონური სიმღერა (ზოგჯერ საკრავის უნისონური



სულთან აჰმედის შადრევანი. ინტერიერი. სტამბოლი. XVII ს.

3794

კერამიკული პანო. 1540. თოფქაფის სასახლის მუზეუმი. სტამბოლი.

თანხლებით). მუს. საკრავებია ქემანჩა, რაბაბი, ტამბური, უდი, კოვარი, დუდუკი, დაეული და სხვ. თ-ის მუსიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა XVII ს. მუსიკოსმა ბუხური-ზადე მუსტაფა ითრიეფენდიმ. XVII—XVIII სს-ში იწყება ევრ. ხელოვნ. შემოჭრა. სტამბოლში მოღვაწეობდნენ ევრ. მუსიკოსები, 1828—56 აქ მუშაობდა ჯ. დონიცეტი (ცნობილი იტალ. კომპოზიტორის ძმა). მისი მოწაფეები (ოსმან იბრაჰიმი, ალი რიზა-ბეი კაფთან-ზადე, ნეჯიფ ვეზირ-ზადე) თურქ. კომპოზიტორთ სკოლის ფუძემდებლები არიან. თ-ის მუსიკის აღმავლობა იწყება თ-ში რესპ. დამყარების შემდეგ. გაიხსნა კონსერვატორიები სტამბოლში, იზმირსა და ანკარაში, ამავე ქ-ებში გაიხსნა საოპერო თეატრებიც. 30—40-იან წლებში გამოჩნდნენ კომპოზიტორები: ჯემალ რაშიდ რეი, ჰასან ფარიდ ალნარი, ულვი ჯემალ ერქინი, აჰმედ ადნან საიგუნი და სხვ. თანამედროვე მუსიკოსები არიან კომპოზიტორები ილხან უსმანბაში, ნევით კოდალი, მევიოლინე აილია ერდურანი, პიანისტი ქალი იდილ ბირეთი, მომღერლები ლეილა აიშე გენჯერი, აიხან ბარანი და სხვ. საოპერო თეატრებთან მუშაობს სიმფ. ორკესტრები, ვოკალურ-საკრავიერი კოლექტივები, თეატრ. და ფილარმონიული საზ-ბები. სტამბოლში ტარდება საერთაშ. მუს. ფესტივალები.

XV. დრამატული თეატრი

თ-ის პროფ. თეატრს საფუძვლად უდევს ხალხ. თეატრების ტრად. ფორმები — თოჯინებისა და ჩრდილის თეატრები (ყარაგოზი), სამოედნო წარმოდგენები (ორთა ოიუნუ) და მთქმელ-იმპროვიზატორთა (მედაჰების) გამოსვლები. ევრ. თეატრს თურქი მაყურებელი XIX ს. II ნახევარში გაეცნო ევროპიდან საგასტროლოდ ჩასული თეატრ. დასების მეშვეობით. ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა წრეები და დასები. 1869 შეიქმნა თეატრი „გედიქ-ფაშა“, რ-იც 1884 დაიხურა. პერიოდულად მუშაობდა სხვადასხვა პროფ. დასი. სულთან აბდულჰამიდ II-ის (1876—1909) რეაქციული რეჟიმის პერიოდში თეატრის განვითარება შეფერხდა. 1914 სტამბოლში გაიხსნა ეროვნ. თეატრი „დარულბედაი ოსმანი“ („ოსმალური ხელოვნების ტაძარი“, 1934-იდან საქალაქო თეატრი). შეიქმნა დრამ. სტუდია, სადაც აღიზარდნენ პირველი თურქი პროფ. მსახიობები. თ-ის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ დიდ ქ-ებში გაჩნდა სახელმწ. და კერძო თეატრები (ანკარის დიდი სამხატვრო თეატრი, მეგობრების თეატრი და სხვ.). მათ რეპერტუარშია მსოფლიო და ეროვნ. დრამატურგია. 1934 შეიქმნა პირველი საბავშვო თეატრი. თანამედროვე თურქი მსახიობები და რეჟისორები არიან ი. ქენთერი, ჯ. გოქჩერი, ე. ჯეზარი და სხვ. თ-ში არსებობს თეატრის საერთაშ. ინ-ტის თურქ. თეატრ. ცენტრი. ანკარის უნ-ტსა და თეატრის კვლ. ინ-ტთან არის თეატრ. კათედრები.

ლიტ.: Познаньска К., Старая и новая Турция, пер. с польск., М., 1974, с. 168—175.

XVI. კინო

თ-ის კინოს ისტორია იწყება 1914 ოპერატორ ფ. უზქინაის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმით. 1917 რეჟისორმა სედათ სიმავიმ გადაიღო პირველი მხატვრული ფილმები. 1922 შეიქმნა კინოსტუდია „ქემალფილმი“, 1928 — „იფექფილმი“; 20—30-იან წლებში მსახიობმა და რეჟისორმა მ. ერთოღრულმა გადაიღო მნიშვნელოვანი კინოფილმები „ცეცხლოვანი ხალათი“ (1923, თურქი ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლის შესახებ), „ანკარის საფოსტო ექსპრესი“ (1928), „სტამბოლის ქუჩებში“ (1931, პირველი ხმოვანი ფილმი), „ერი იღვიძებს“ (1923, თ-ის ეროვნ. დამოუკიდებლობის შესახებ). II მსოფლიო ომის წლებში შემცირდა უცხ. კინოფილმების შეტანა, განვითარდა სამამულო კინემატოგრაფია, შეიქმნა ახ. კინოსტუდიები. კინოპროდუქციების საფუძველია ვესტერნები, მელოდრამები და მსუბუქი კომედიები. ფილმების ტექ. ხარისხი დაბალია. 1960-იდან მოწინავე კინომოღვაწეები გამოდიან კომერც. კინოს წინააღმდეგ. იღებენ თანამედროვე სოც. პრობლემების ამსახველ ფილმებს: „უსასრულო გზა“ (1965, რეჟ. დ. საჰირ-ოღლუ), „იმედი“ (1970), „ამხანაგი“ (1974) — ორივეს რეჟ. ი. გუნეი, „ბედრანა“ (1974, რეჟ. ს. დურუ) და სხვ. პოპულ. მსახიობები არიან ტ. შორაი, ფ. გირიქი, ხ. კოჩინგითი, ი. კენთერი, მ. უნი და სხვ. 1960-იდან ანთალიასა და იზმირში ტარდება ეროვნ. კინოფესტივალები. 1974 გამოვიდა 183 მხატვრული ფილმი (უმთავრესად ფერადი), მუშაობდა 3 ათ-ზე მეტი კინოთეატრი, 10 მსხვილი კინოსტუდია, 50-მდე სხვადასხვა კინოფირმა.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 48—49. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 80.

თურქეთის კომუნისტური პარტია (თკპ; Türkiye Komünist Partisi), შეიქმნა 1920 სექტ. I ყრილობაზე, სტამბოლში, ანატოლიასა და საზღვარგარეთ მოქმედი კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად. ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება, აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. თურქეთის კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ თურქი ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლაში 1918—22. 1921 იანვ. თკპ-მ მძიმე დანაკლისი განიცადა — 15 მისი ხელმძღვანელი მოღვაწე, მ. შ. თკპ-ის თავ-რე მუსტაფა სუბჰი, მოკლეს. 1923 თკპ-ის საქმიანობა აიკრძალა, ამ დროიდან იგი არალეგალურად მუშაობს. მძიმე პირობების მიუხედავად II მსოფლიო ომის დროს (1939—45) თკპ-მ მოაწყო მშრომელთა გამოსვლები თურქ. რეაქციული წრეების ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის პოლიტიკის წინააღმდეგ, სსრკ-თან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. თკპ-მ მრავალჯერ განიცადა რეპრესიები, განსაკუთრებით 1944 და 1951, როდესაც დააპატიმრეს პარტიის აქტივისტები და ხელმძღვანელი მოღვაწეები. თკპ თანამიმდევრულად იბრძვის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, დემოკრ. თურქეთის, სამხ. ბლოკებიდან გამოსვლისა და თურქ. ტერიტორიაზე ამერ. ბაზების ლიკვიდაციისათვის. თკპ-ის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირებში მუშაობაში (1957, 1960, 1969, მოსკოვი).

თურქესტანი, ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი XIX ს.—XX ს. I მეოთხედში, რ-იც გულისხმობდა ვრცელ ტერიტორიას შუა და ცენტრალურ აზიაში. დას. თ. მოიცავდა ახლანდ. შუა აზიასა და ყაზ. სამხრ. ნაწილს, აღმ. თ. შედიოდა ჩინ. შემადგენლობაში, ხოლო ავღანეთის თ.— ჩრდ. ავღანეთში. თ-ის ტერიტ. მოიცავდა 3 მლნ. *კმ*²-ზე მეტს. დასავლეთის ანერუს. თ-ში 1867 დაარსდა საგენერალგუბერნატორო. ოქტ. რევ. შემდეგ აქ შეიქმნა თ-ის ასსრ (1918), ბუხარისა და ხორეზმის სახ. საბჭ. რესპუბლიკები (1920). 1924—25 ყოფილი რუს. თ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა უზბ. სსრ, თურქმ. სსრ, ტაჯ. ასსრ (1929-იდან ტაჯ. სსრ), ყირგ. ავტონ. ოლქი (1926-იდან ყირგ. ასსრ, 1936 — ყირგ. სსრ), ყარაყალპ. ავტონ. ოლქი (1932-იდან ყარაყალპ. ასსრ), ჩრდ. ნაწილი კი შევიდა ყაზ. სსრ შემადგენლობაში. იმავე პერიოდში თ-ის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „შუა აზია“.

თურქესტანი, ქალაქი ყაზ. სსრ ჩიმქენთის ოლქში. რკინიგზის სადგური. 61 ათ. მცხ. (1977). ყაზ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ბამბასაწმენდი, საშენ მასალათა, საკვები ანტიბიოტიკების და სხვა ქ-ნები. ინდუსტრ.-პედ. ტექნიკუმი, სამედ და პედ. სასწავლებლები. თ. ძველად შუა აზიის სავაჭრო და რელიგ. ცენტრი იყო. შემორჩენილია მავზოლეუმის კომპლექსი (XIV ს. ბოლო).

თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (თასსრ) რსფსრ შემადგენლობაში (1918—24), პირველი საბჭ. სახელმწიფო შუა აზიაში. დედაქალაქი — ტაშკენტი. 1920 აღწერით მოსახლეობა შეადგენდა 5230 ათ. კაცს (უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, თურქმენები, ტაჯიკები, ყარაყალპაზები, რუსები და სხვ.). თურქესტანში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა თასსრ. იგი გამოცხადდა სრულიად თურქესტანის საბჭოების V ყრილობაზე (1918 წ. 20 აპრ. — 1 მაისს). 1918 წ. 17—25 ივნისს შეიკრიბა თურქესტანის ბოლშევიკური ორგანიზაციების I ყრილობა, რ-მაც ორგანიზაციულად გააფორმა თურქესტანის კომუნისტური პარტია, როგორც რკპ (ბ) ნაწილი. თურქესტანის რესპ. საბჭოების VI საგანგებო ყრილობამ (1918 წ. 5—14 ოქტომბერი) მიიღო თასსრ-ის კონსტიტუცია. 1918—20 თასსრ-ს გამუდმებით ესხმოდნენ თავს თეთრგვარდიელები, უცხოელი ინტერვენტები და ბასმაჩია ბანდები. წითელი არმიის დახმარებით 1920 გაზაფხულისათვის ძირითადად დასრულდა კონტრრევ. ძალების განადგურება. 1921-იდან თასსრ-ის მშრომელები შეუდგნენ სახ. მეურნ. აღდგენას. 1921 გაზაფხულიდან დაიწყო სამხ. კომუნიზმის პოლიტიკიდან ახ. ეკონ. პოლიტიკაზე გადასვლა. იმავე წელს გატარდა მიწისა და წყლის რეფორმა, რის შედეგადაც კულაკებს ჩამოართვეს 240 ათ. დეს. მიწა და უმიწაწყლო ღარიბებს დაურიგეს. 1924-თვის თასსრ-მ დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო, საზ.-პოლიტ. და კულტ. ცხოვრებაში.

თასსრ გაუქმდა 1924 წ. 27 ოქტ. შუა აზიის საბჭ. რესპუბლიკების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დაყოფასთან დაკავშირებით. მისი ტერიტ. შევიდა უზბ. და თურქმ. სსრ, ტაჯ. ასსრ (1929-იდან—ტაჯ. სსრ), ყირგ. აო (1926-იდან ყირგ. ასსრ, 1936-იდან — ყირგ. სსრ) და ყარაყალპ. აო-ის (1932-იდან — ყარაყალპ. ასსრ) შემადგენლობაში, ყაზახური რ-ნები შევიდა ყაზ. ასსრ (1936-იდან — ყაზ. სსრ) შემადგენლობაში.

ლიტ.: Гордиенко А. А., Образование Туркестанской АССР, М., 1968; История Туркменской ССР, т. 1—2, Аш., 1957; История Узбекской ССР, т. 3, Таш., 1967.

თურქესტანის კომისია რსფსრ ცაკისა და სახკომსაბჭოსი, შეიქმნა *თურქესტანის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* დასახმარებლად 1919 წ. 8 ოქტ.; მოქმედებდა 1922 წ. 16 აგვ-მდე (წევრები: გ. ბოკი, ფ. ‹გოლოშჩოკინი, შ. ელიავა, ვ. კუიბიშევი, მ. ფრუნზე და სხვ.). თ. კ-მ განამტკიცა თურქესტანის პარტ. და საბჭ. ორგანოები, ხელი შეუწყო მოსახლეობის ინტერნაციონალურ შეკავშირებასა და ეროვნ.. საკითხში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას.

თურქესტანის კომისრები, თურქესტანის ასსრ-ის 14 რევოლუციური მოღვაწე, რ-ებიც დაიღუპნენ ტაშკენტში კონტრრევ. ამბოხების დროს. 1919 წ. 18 იანვ. საღამოს თურქესტანის რესპ. ყოფილმაა სამხ. კომისარმა მოღალატე კ. ოსიპოვმა, რ-იც ანტისაბჭ. ამბოხებას მეთაურობდა, ტელეფონით გამოიძახა თურქესტანის რესპ. მთავრობის წევრები და სხვა პასუხისმგებელი პარტ. მუშაკები ამბოხებულიო (ციმბირის მე-2 პოლკის ბანაკში. 4 კაცი ოსიპოვის ბრძანებით იქვე დახვრიტეს. 10 კომისარი კი დაიღუპა (დახვრიტეს, მხეცურად დახოცეს, დაიღუპნენ ბრძოლაში და ა.ა. შ.) 18—22 იანვარს.

თ. ჰ-თა რიცხვში იყვნენ: ვ. ვოტინცევი — თურქესტანის რესპ. ცაკის თავ-რე, ვ. ფიგელსკი—თურქესტანის სახკომსაბჭოს თავ-რე, ი. ფომენკო — საგანგებო კომისიის თავ-რე, ა. მალკოვი—სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი, შინაგან და საქმეთა სახ. კომისარი, ნ. შუმილოვი—ტაშკენტის საბჭოს თავ-რე, ვ. ფინკელშტეინი—ტაშკენტის საბჭოს თავ-რის მოადგილე, ა. პერშინი—ტაშკენტის საბჭოს აღმასკომის წევრი, მ. კაჩურინერი—ტაშკენტის პროფკავშირების საბჭოს თავ-რე, ე. დუბიცკი — გზათა კომისარი, ა. ჩერვიაკოვი — სამხ. საველე სასამართლოს თავ-რე; დ. შპილკოვი—ნოვგოროდის პარტ. მებრძოლი რაზმის მეთაური; მ. ტროიცკი—გაზ. „ტურკესტანსკი კომუნისტის" და „კრასნოარმეეცის" რედაქტორი, ს. გორდეევი — ტაშკენტის საბჭოს აღმასკომის წევრი, გ. ლუგინი — ქალაქის დაცვის უფროსის თანაშემწე. ამბოხების ჩახშობის შემდეგ, 1919 წ. 26 იანვ., დაღუპული კომისრები საზეიმოდ დაკრძალეს რკინიგზელთა პარკში. 1962 მათ პატივსაცემად ტაშკენტში სადგურის მოედანზე აღმართეს ძეგლი.

თურქესტანის ქედი, პისარ-ალაის მთათა სისტემის ქედი შუა აზიაში. გადაჭიმულია ფერღანის ველის სამხრ-ით, სამარყანდის ოაზისიდან და ებმის ალაის ქედს. სიგრძე დაახლ. 340 *კმ*. სიმაღლე 5509 *მ*-მდე, უკიდურეს აღმ. ნაწილში — 5621 *მ*-მდე. ძირითადად აგებულია ქვიშაქვებითა. და ფიქლებით. ქედის ჩრდ. კალთაზე ღვიის ბუჩქნარი და ნათელი ტყეებია, სამხრ. კალთაზე — მთის სტეპი, თხემზე — მუდმივი თოვლი და მყინვარები. მ. ძ-ზე, შაჰრისტანის უღელტეხილზე (3378 *მ*), გადის საავტ. გზა ლენინაბად—დუშანბე.

თურქესტანიშვილი ბაადურ (ბორის), XVIII ს. I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში. 1724 თავის ნათესავებთან ერთად რუსეთში გაჰყვა ვახტანგ VI-ს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; **Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 гг., СПб., 1861.**

ლიტ.: პ ა ი ჭ ა ძ ე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1960.

გ. პაიჭაძე.

თურქთა სახაკანო (552—745), თურქული ტომების სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში. მოსახლ. მისდევდა მომთაბარე მესაქონლეობას და ნადირობას. 460 აღმ. თურქესტანიდან ალთაიზე გადასახლებული ერთ-ერთი ტომის მეთაურობით შეიქმნა ადგილ. ტომთა კავშირი, რ-მაც მიიღო „თურქის" სახელწოდება. ეს ტერმინი პირველად პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო, მაგრამ შემდეგ იგი თურქულ ენათა და ხალხთა დიდი ჯგუფის აღმნიშვნელად გადაიქცა. თ. ს-ს პოლიტ. და სამხ. ორგანიზაცია ჩამოყალიბდა აღმ. თურქესტანის ძვ. სახელმწიფოთა წაბამვით. VI ს. შუა წლებში თურქებმა დაამარცხეს უიღურები და ჟუჟანები და თურქთა ბელადმა ბუმინმა (გ. 552) თავი ხაკანად გამოაცხადა. 555 წლისთვის თ. ს-ს გავლენას დაემორჩილა მთელი ცენტრ. აზია. თ. ს-მ ანტიირანული კავშირი დადო ბიზანტიასთან. ირანში ლაშქრობებს მოჰყვა თ. ს-ს საზღვრის გაფართოება მდ. ამუდარიამდე და მის დას. ნაპირამდე.

აღმ. თ. ს-მ აღადგინა თავისი გავლენა ცენტრ. აზიაში და ენერგიულად შეუტია ჩინეთს. გარკვეული წარმატებების შემდეგ ჩინეთთან ომში მან მარცხი განიცადა (630) და 50 წლით დაკარგა დამოუკიდებლობა. VII ს. ბოლოს აღმ. თ. ს. გათავისუფლდა ჩინ. ბატონობისაგან, მაგრამ VIII ს. I ნახევარში იგი საბოლოოდ დაიშალა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა უიღურთა სახაკანო (745—840).

დას. თ. ს-მ VII ს. დამდეგიდან შეძლო განმტკიცება, მაგრამ 630 დაიწყო ხანგრძლივი შინაომი. 658—659 დას. თ. ს-ს ძირითადი ნაწილი დაიპყრო ჩინეთმა, რ-ის ბატონობისაგან იგი მხოლოდ 704 გათავისუფლდა. აგრესიული მეზობლების თავდასხმებისა და შინაომების შედეგად 740 დას. თ. ს. დაიშალა.

თ. ს-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევრაზიის თურქულენოვანი მოსახლეობის კონსოლიდაციაში.

ლიტ.: Г у м и л е в Л. Н., Древние тюрки, М., 1967.

თურქია რენო ვალერიანის ძე (11. VIII. 1926, სოხუმი,—14. I. 1979, თბილისი), ქართველი საბჭ. ფერმწერი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1976). 1956 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია, სადაც 1959-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. თ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლირიკულობა, სახეთა ემოციურობა, დახვეწილი კოლორიტი. ნამუშევრები: „შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე ბექა ოპიზარის სახელოსნოში" (1956, თბილ. სამხატვრო აკადემიის მუზეუმი), „შემოდგომა" (1957, მოსკ. სამხატვრო ფონდი), „და კვლავ მუშაობა" (1977, საქ. სსრ სურათების გალერეა), „სამშობლოდან მოშორებით" (1977, ჭადრაკის სასახლე, თბილისი); ლ. ასათიანის (1966), გ. მესხის (1966), გ. ტაბიძის (1967), მ. ლებანიძის (1972, ყველა საქ. სსრ სურათების გალერეა), ვაჟა-ფშაველას (1976), ნიკო ფიროსმანაშვილის (1977), იაკობ ცურტაველის (1978, სამივე საქართვ. მწერალთა კავშირში, თბილისი) პორტრეტები და სხვ.

თურქისტანიშვილი დავით, XVII ს. II ნახევრისა და XVIII ს. დასაწყისის ქართველი მწიგნობარი, პოლიტიკური მოღვაწე. *ვიორგი XI-მ* გაგზავნა მოსკოვს არჩილ II-თან. გზად დაღესტანში დაუტყვევებიათ. ტყვეობაში შამხალმა დაიახლოვა და ერთხანს თავისთან დაიტოვა. საქართველოში დაბრუნებული თ. არჩილმა ყირიმის ხონოქართან გაგზავნა დახმარების საძიებლად, შემდეგ კი თან იახლა რუსეთში. 1799-იდან მოღვაწეობდა მოსკოვში, არჩილის კარზე, რ-იც ქართ. კულტ. კერად იქცა. შეუდგენია არჩილის თხზულებათა კრებ. „არჩილიანი" (ლენინგრ., ხელნ. № 22 და S—3700).

წყარო: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958.

გ. იმედაშვილი.

თურქისტანიშვილი ერასტი (დ. წ. უცნობია, — 1735), ქართველი მწიგნობარი. ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში 1724. პეფის დავალებით რუსულიდან ქართულად თარგმნა „აპოფთეგმატა" (იხ. *აპოფთეგმები*), რ-ის ორი რედაქცია არსებობს — ვრცელი და მოკლე. თ-ის მიერ თარგმნილი მოკლე რედაქცია ვახტანგ VI-მ გალექნა და „სიბრძნე მალაღობელი" უწოდა.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

გ. იმედაშვილი.

თურქიშვილი ფარნაოზ გაბრიელის ძე (დ. 10. VII. 1930, სოფ. მარტყოფი), წარმოების ნოვატორი, სოციალ. შრომის გმირი (1976). სკკპ წევრი 1967-იდან. მუშაობს 1955-იდან სასოფლომშენებლუსტრიის ტრესტის ლილოს რკინაბეტონის ნაკეთობათა № 2 ქ-ნის მშენებლობაზე. 1957-იდან ამავე ქ-ნის მეარმატურეთა ბრიგადის ბრიგადირია. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და მედლებით.

თურქმანჩაის ზავი 1828, რუსეთსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულება, რ-ითაც დასრულდა რუსეთ-ირანის 1826—28 ომი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1828 წ. 10 (22) თებ. სოფ. თურქმანჩაიში, თავრიზის მახლობლად. თ. ზ-ის თანახმად რუს. შემადგენლობაში შევიდა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები (აღმ. სომხეთი). ირანს დაეკისრა 20 მლნ. მან. კონტრიბუცია. რუსეთს დარჩა უპირატესი უფლება კასპიის ზღვაზე ჰყოლოდა სამხ. ფლოტი. რუს ვაჭრებს ირანში შეღავათები ეძლეოდათ. თ. ზ-მა განამტკიცა რუს. მდგომარეობა ამიერკავკასიაში და შეასუსტა ინგლ. გავლენა ირანში. შაჰი და ირანის მმართველი წრეები მტრულად შეხვდნენ თ. ზ-ს. ფართო ანტირუს. პროპაგანდის შედეგი იყო თეირანში რუს. მისიის დარბევა და ა. გრიბოედოვის მკვლელობა 1829 წ. 30 იანვ. ოსმალეთთან ომის გამო რუს. მთავრობამ თავი შეიკავა ირანთან ომის განახლებისაგან და კონფლიქტი დიპლ. გზით მოაგვარა.

ლიტ.: С е м е н о в Л. С., Россия и международные отношения на Среднем Востоке в 20-х гг. XIX в., Л., 1963; Ш о с т а к о в и ч С. В., Дипломатическая деятельность А. С. Грибоедова, М., 1960.

თურქმენები (საკ. სახელწ. т у р к м е н), ერი, თურქმ. სსრ ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. თურქმენეთში 1416,7 ათ. კაცი (1970, აღწერა). ცხოვრობენ აგრეთვე უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ჩრდ. კავკასიაში, ასტრახანის ოლქსა და რსფსრ მთელ რიგ ქ-ებში. საერთო რაოდ. სსრკ-ში 1525,3 ათ. კაცი (1970, აღწერა). საზღვარგარეთ ცხოვრობენ ავღანეთსა და ირანში, წინა აზიის არაბ. ქვეყნებში და თურქეთში. ლაპარაკობენ თურქმ. ენაზე. ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან მონღოლოიდურნარევ ევროპოიდებს. მორწმუნე თ. მუსლიმანი სუნიტები არიან. თ-ის ეთნოგენეზში თავდაპირველად მონაწილეობდნენ უძველესი ადგილ. ირანულენოვანი დახურ-მასაგეტური და ეელის სარმატულ-ალანური ტომები, ნაწილობრივ ძვ. სახელმწიფოების — პართიის, ხვარაზმის, მარგიანეს მცხოვრებლები. I ათასწლ. შუა ხანებში კასპიისპირა ველებში გამოჩნდნენ ადრინდელი თურქები, ხოლო IX—XI ს-ში—ოღუზები (სელჩუკები), რ-ებმაც დიდი როლი ითამაშეს თ-ის ეთნოგენეზში. ოღუზთა ძირითადი ჯგუფები XI ს-ში მოვიდნენ ჩრდ. აღმ-იდან და თანდათან შეერწყნენ ადგილ. მოსახლეობას. თურქმენი ხალხის ფორმირების პროცესი ძირითადად XV ს-ში დამთავრდა, როდესაც მონღოლთა დაპყრობების შედეგად შექმნილ ახ. ტომობრივ გაერთიანებებში მოექცნენ არაოღუზური წარმოშობის თურქ. ტომები, კერძოდ, ყივჩაყები. XX ს-მდე თ. ტომებად იყოფოდნენ. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო თექელების (თექე), იომუთების, ერსარების, სალირების, სარიკების, გოქლენებისა და ჩაუდორების ტომები. XIX ს. 80-იან წლებში თურქმენეთი რუსეთს შეუერთდა, ჩაისახა კაპიტალ. ურთიერთობები. რევოლუციამდე თ. მისდევდნენ სარწყავ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ სოციალ. მშენებლობის შედეგად თურქმ. სსრ ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკად გადაიქცა. საზღვარგარეთ (ირანი, ავღანეთი, თურქეთი) მცხოვრები თ. ინარჩუნებენ პატრიარქალურ-ფეოდ. წყობილების ნიშნებს. თ-ის ისტ., ეკონ. და კულტურის შესახებ იხ. აგრეთვე სტ. *თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.*

ლიტ.: Б а р т о л ь д В. В., Очерк истории туркменского народа, Соч., т. 2, ч. 1, М., 1963; Народы Средней Азии и Казахстана, т. 2, М., 1963.

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (Туркменистан Совет Социалистик Республикасы), т у р к м е н е т и.



რ. თ ი ტ ი ა. პოეტ მურმან ლებანიძის პორტრეტი. 1972. საქართველოს სსრ სურათების გალერეა. თბილისი.

I. ზოგადი ცნობები

თურქმ. სსრ თავდაპირველად შეიქმნა 1921 წ. 7 აგვ. როგორც თურქესტანის ასსრ-ში შემავალი თურქმ. ოლქი. 1924

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 19
II. სახელმწიფო წესწყობილება 20
III. ბუნება 20
IV. მოსახლეობა . . . 20
V. ისტორიული ნარკვევი 20
VI. თურქმენეთის კომუნისტური პარტია . 22
VII. თურქმენეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი. 22
VIII. პროფესიული კავშირები. 22
IX. სახალხო მეურნეობა. 22
X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 23
XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი 23
XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია. 24
XIII. ლიტერატურა . . . 24
XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. . 25
XV. მუსიკა 25
XVI. ბალეტი 25
XVII. დრამატული თეატრი 25
XVIII. კინო. 26

წ. 27 ოქტ. თურქმ. სსრ-დ ჩამოყალიბდა. მდებარეობს შუა აზიის სამხრ.-დას. ნაწილში. ჩრდ-ით ესაზღვრება ყაზ. სსრ, ჩრდ.-აღმ-ით — უზბ. სსრ, სამხრ.-აღმ-ით — ავღანეთი, სამხრ-ით — ირანი. დას-ით ეკვრის კასპიის ზღვა. ფართ. 488,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 2759 ათ. კაცი (1979). დედაქალაქი — აშხაბადი. რესპუბლიკაში შედის 5 ოლქი (აშხაბადის, კრასნოვოდსკის, მარის, თაშაუზის, ჩარჯოუს), 42 რ-ნი, 15 ქალაქი და 74 დაბა.

II. სახელმწიფო წესწყობილება

თურქმ. სსრ სუვერენული სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფო, მოკავშირე საბჭ. სოციალ. რესპუბლიკაა, რ-იც შედის სსრკ-ის შემადგენლობაში. მოქმედი კონსტიტუცია მიიღო თურქმ. სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე IX სესიამ 1978 წ. 13 აპრილს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა თურქმ. სსრ ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო (მოსახლ. ირჩევს 5 წლით), მის კომპეტენციაში შედის კანონების მიღება, თურქმ. სსრ მინისტრთა საბჭოს — რესპ. სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოს (მთავრობის) შექმნა და სხვ. თურქმ. სსრ უმაღლესი საბჭო ირჩევს თავის მუდმივმოქმედ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს — თურქმ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებს ოლქებში, რ-ნებში, ქ-ებში, ქ-ის რ-ნებში, დაბებსა და სოფლებში წარმოადგენს შესაბამისი სახ. დეპუტატთა საბჭოები, რ-ებსაც მოსახლ. ორნახევარი წლით ირჩევს. მართლმსაჯულებას ახორციელებს თურქმ. სსრ უმაღლესი სასამართლო, საოლქო და რ-ნული (საქალაქო) სახ. სასამართლოები. მათ შესაბამისად ირჩევს თურქმ. სსრ უმაღლესი საბჭო, ოლქის სახ. დეპუტატების საბჭო და რ-ნის (ქალაქის) მოსახლეობა. თურქმ. სსრ პროკურორს ნიშნავს სსრკ გენ. პროკურორი 5 წლით.

სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში თურქმ. სსრ წარმოდგენილია 32 დეპუტატით.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

თ-ის ტერიტ. თითქმის 4/5 მდებარეობს თურანის დაბლობზე, რ-ის დიდი ნაწილი *ყარაყუმის* უდაბნოს უკავია. სამხრ. ნაწილში გადაჭიმულია მაღლობებისა და საშ. სიმაღლის მთების ვიწრო ზოლი. ქ. ქუშქის სამხრ-ით მდებარეობს სსრკ-ის უკიდურესი სამხრ. წერტილი.

რესპ. სამხრ. ნაწილში *ქოფეთდაღის* მთებია (2942 *მ*, მთა რიზე); ამ მთების ჩრდ.-დას-ით მდებარეობს პატარა ბალხანისა (777 *მ*-მდე) და დიდი ბალხანის (1881 *მ*-მდე) ქედები. სამხრ.-აღმ-ით თ-ის ფარგლებში შედის ფაროფამიზის ჩრდ. მთისწინეთი — ბადხიზი (1267 *მ*-მდე) და ყარაბილი (984 *მ*-მდე; რ-ებსაც მდ. მურღაბი ყოფს. უკიდურეს სამხრ.-აღმ. ნაწილში მდებარეობს ჰისარის ქედის ტოტი კუგიტანგთაუ (3139 *მ*-მდე; რესპ. უმაღლესი წერტილი). დას-ით კრასნოვოდსკის პლატოა, ჩრდ.-დას-ით — პლატო უსთიურთის სამხრ. კიდე. უსთიურთის სამხრ-ით მდებარეობს უზბოისიქითა ნაოჭა რ-ნი. კასპიისპირა დაბლობის ფარგლებში განლაგებულია რამდენიმე მაღლობი. ქოფეთდაღის ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით გადაშლილია ყარაყუმის უდაბნო.

თ-ის ტერიტ. ხმელთაშუა ზღვის გეოსინკლინურ სარტყელში შედის და უკავია ეპიპალეოზოური თურანის ფილაქნისა და ალპური ნაოჭა ოლქის ნაწილი. ამ ორ ტექტონიკურ ელემენტს შორის განლაგებულია ქოფეთდაღისწინა კიდური როფი. ტერიტორიის აღმ. ნაწილი ეპიბაქნურ არეს მიეკუთვნება. სამხრ. ნაწილი მაღალი სეისმურობით გამოირჩევა. სასარგებლო წიაღისეულიდან უმთავრესია ნავთობი და აირი. თ. მდიდარია მინერ. მარილების საბადოებით. არის ვერცხლისწყალი, გოგირდი, ბენტონიტი, ოზოკერიტი, საშენი მასალა, სამკურნ. მინერ. წყალი.

თ-ის ჰავა მკვეთრად კონტინენტური, გვალვიანია. იანვ. საშ. ტემპ-რა —5°C-იდან (ჩრდ.-აღმ-ით) 4°C-მდეა (ათრაქის რ-ნში), აბსოლ. მინიმუმი —32°C (თაშაუზის ოლქში); ივლ. საშ. ტემპ-რა 28°C ჩრდ.-აღმ-ით, 32°C — სამხრ-ით, აბსოლ. მაქსიმუმი 49,9°C (სადგ. რეფეთექი). ნალექები 80-იდან 400 *მმ*-მდე წელიწადში.

თ-ის ერთადერთი წყალუხვი მდინარეა ამუდარია. ვ. ი. ლენინის სახ. ყარაყუმის არხის საშუალებით ამუდარიის წყლით ირწყვება რესპუბლიკის სამხრ. ნაწილში მდებარე გვალვიანი მიწები (მურღაბის, თეჯენის, ათრაქისა და სხვა წყალმცირე მდ-ების აუზებში). ტბების უმრავლესობა მლაშეა (უდიდესია ყუული). მტკნარი ტბებიდან მნიშვნელოვანია იასხანი და თოფიათანი. მთაში გვხვდება კარსტული წარმოშობის ტბები.

თ-ში ძირითადად უდაბნოს მცენარეულობაა. ქვიშიანი უდაბნოს მცენარეულ საფარს ქმნის ბუჩქები, ბუჩქბალახი და ბალახი. უსთიურთის პლატოსათვის დამახასიათებელია რუხ-მურა ნიადაგზე აღმოცენებული ჩარანი და აბზინდა. ხეობებში ალაგ-ალაგ ტუგაის ტყეებია. მთისწინა ვაკეზე, ქოფეთდაღის მთისწინეთში, ყარაბილის და ბადხიზის რუხ ნიადაგებზე გავრცელებულია ეფემეროიდული ტიპის ბალახოვანი მცენარეულობა და ეფემერები; 1000 *მ*-ზე მაღლა მდებარე პლატოებსა და მთებზე მთის ყავისფერი ნიადაგები და ვაციწვერიანი და ჭანგიანი სტეპებია. დას. ქოფეთდაღის ხეობებში ალუვიურ მდელოს ნიადაგზე ხარობს ველური ხეხილი (ყურძენი, ვაშლი, კუნელი, ტყემალი, ნუში, ბროწეული და სხვ.).

უდაბნოში ბინადრობენ მღრღნელები; გვხვდება ჯეირანი, კორსაკი, მგელი, ბარხანის კატა, ლელიანის კატა, ტურა; ფრინველებიდან — საქსაულის ჩხიკვი, ტოროლები, უდაბნოს ყორანი და სხვ.; გავრცელებულია გველები, ხვლიკები, ველის კუ, მორიელები, ობობა-კარაკურტი. მთაში გვხვდება მგელი, მელა, ჯიქი, ნიამორი, ხოხობი, კაკაბი, შურთხი და სხვ. თ-ის ტერიტორიაზე 3 ნაკრძალია.

IV. მოსახლეობა

ძირითადი მოსახლეობა — *თურქმენები* (1,4 მლნ. კაცი; 1970, აღწერა). ცხოვრობენ აგრეთვე (ათ. კაცი): რუსები (313,1), უზბეკები (179,5), ყაზახები (68,5), თათრები (36,5), უკრაინელები (35,4), სომხები (23,1), აზერბაიჯანელები (16,8), ბელუჯები (12,4) და სხვ.

მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე 1 *კმ*²-ზე — 5,4 კაცი (1977). მჭიდროდ არის დასახლებული მურღაბის, ამუდარიის ოაზისები, სამხრ. მთისწინა ზოლი (100—200 კაცი 1 *კმ*²-ზე). უდაბნოების უზარმაზარ სივრცეზე კი 1 *კმ*²-ზე 1 კაცზე ნაკლები მოდის.

1929—74 მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი სახ. მეურნეობაში 9-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა (1974 წ. 553 ათ. კაცი შეადგინა). დიდი ქ-ებია (ათ. მცხ., 1979); აშხაბადი (312), ჩარჯოუ (140), თაშაუზი (84), მარი (72), კრასნოვოდსკი (55), ბაირამ-ალი, თეჯენი.

V. ისტორიული ნარკვევი

წინაფეოდალური ხანა (ძვ. წ. VIII — ახ წ. VI სს.). თ-ის ტერიტორიაზე მოსახლ. გაჩნდა ქვემო პალეოლითის ხანაში. აქ დადასტურებულია სსრკ ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი (ძვ. წ. VI ათასწლ.) ნეოლითური მიწათმოქმედთა კულტურა, ე. წ. ჯეითუნის კულტურა. ამ ეპოქაში საზ-ბის ეკონ. საფუძველი იყო გვარი, ხოლო მთავარი საქმიანობა — სარწყავი მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ნადირობა. ენეოლითის ეპოქა წარმოდგენილია *ანაუს* კულტურით, რ-ისთვისაც დამახასიათებელია მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ძვ. წ. II ათასწლეულში გაჩნდა ხელოსნობა (მეთუნეობა და ლითონის დამუშავება), დაარსდა ქალაქის ტიპის მსხვილი დასახლებანი. საზ-ბის ეკონ. საფუძველი იყო დიდი ოჯახები.

ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოსა და I ათასწლ. დასაწყისში დაიწყო პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა, იქმნებოდა კლასობრივი საზ-ბა. ამ პროცესს, სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად, თან მოჰყვა სარწყავი მიწათმოქმედების, ვაჭრობისა და ხელოსნობის შემდგომი ზრდა და ქ-ების გაჩენა.

ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებში თ-ის ტერიტორიაზე დაწინაურდნენ მარგიანესა და პართიის ოლქები. კასპიის ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე მდებარეობდა ჰირკანია, ჩრდილოეთის სტეპებში ბინადრობდნენ მასაგეტები და დახები. ძვ. წ. VII—VI სს-ში მარგიანე შედიოდა *ბაქტრიის* შემადგენლობაში, ხოლო პართია და ჰირკანია — მიდიის სახელმწიფოში. ძვ. წ. VI—IV სს-ში ეს ოლქები *აქემენიდების* გავლენის ქვეშ მოექცა, რ-თაც (თავისი ძალაუფლება გაავრცელეს შუა აზიის მომთაბარე ტომების დიდ ნაწილზე). ძვ. წ. IV ს-ში თ-ის ტერიტ. დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, ხოლო ძვ. წ. IIII ს-ში მთისპირა ზოლში შეიქმნა *პართიის სამეფო*, რ-ის დედაქალაქი იყო ნისსა. ამ დროს მოსახლ. ძირითადად იმისდევდა მიწათმოქმედებას (მ. შ. მევენახეობასა) და მესაქონლეობას. ახ. წ. I ს-ში თ-ისს ჩრდ. ტერიტ. ეთნოგენეზში მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა ალანთა ტომები. V ს-ში თ-ის ტერიტ. დიდი ნაწილი დაიპყრეს ეფტალიტებმა.

ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა და განვითარება (VI—XIX სს.). სამმიწათმოქმედო ფეოდ. ურთიერთობები ჯერ კიდევ VI ს-მდე გაჩნდა. თ-ის სამხრ. და აღმ. რ-ნებში მოჰყავდათ ბამბა, ქერი, ხორბალი, ყურძენი და სხვ. მაარვში, ნისაში, აბიევერდში ვითარდებოდა მეაბოლეშუმეობა. ჯერ კიდევ ადრინდ. ფეოდ. ხანაში მარვი გახდა მსხვილი საერთაშ. სავაჭრო ცენტრი, სადაც გადიოდა გზა ბაღდადიდან ჩინეთში. თ-ის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო სხვადასხვა რელიგია — *ზოროასტრიზმი, ბუდიზმი* და სხვ.

VI ს-ში *ეფტალიტების* სახელმმწიფო დაიპყრო *თურქთა სახაკანომ*. თურქულენოვანმა ტომებმა დაიმორჩილეს თ-ის მოსახლ. და დაიწყეს მათი გათურქება. VII ს. შუა ხანიდან თ-ის ტერიტ. არაბებმა დაიპყრეს და მოსახლ. ძირითადი მასსა გაამაჰმადიანეს. არაბია ბატონობამ დროებით შეაფერხა ფეოდ. ურთიერთობათა განვითარება. სახალიფოს შემადგენლობაში ადგილ. მოსახლ. ეზიარა წინა აზიის ხალხთა კულტურას და მონაწილეობა მიიღო შესანიშნავი კულტ. სინთეზისს შექმნაში. IX—X სს-ში თ. შედიოდა *ტაჰირიდებისა* და სამანიდების სახელმწიფოებში. განვითარდა ფეოდ. ურთიერთობანი, შეიქმნა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები.

1040 ოღუზთა თურქულენოვანი ტომების ერთ-ერთმა გვარმა — სელჩუკებმა თ-ის ტერიტ. დაიპყრეს. თურქმ. ხალხის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი ოღუზებმა შეასრულეს, ადგილ. მოსახლეობასთან შერწყმის შემდეგ ისინი თურქმენებად იწოდებოდნენ. თ-ის შესვლამ ხელჩუკთა სახელმწიფოში საგრძნობლად შეუწყო ხელი მის ეკონ. აღმავლობასასა და ფეოდ. ურთიერთობათა შემდგომ განვი-

თარებას. დიდი წინსვლა დაეტყო მარვსა და სხვა ქ-ებს, გაშენდა მრავალოთახიანი სახლები, მეჩეთები, მავზოლეუმები და სხვ. დაწინაურდნენ მსხვილი ფეოდალები — *ამირები*, რ-ებმაც დაიწყეს გამოსვლები სელჩუკთა წინააღმდეგ. 1153—57 აჯანყების შედეგად სელჩუკთა სახელმწიფო დაემხო.

XII—XIII სს-ში თ-ის ტერიტორიაზე გაბატონდნენ ხვარაზმის შაჰები, 1219—21 კი დაიპყრეს *ჩინგიზ-ყაენის* ურდოებმა, რ-თაც გაანადგურეს ქვეყანა, დაანგრიეს ქ-ები და არხები, მოსპეს ან დაიმონეს მოსახლ.; დაეცა ვაჭრობა, ხელოსნობა, მიწათმოქმედება. თურქმ. ტომების ძირითადი მასა შეეხიზნა კასპიის აღმ. ნაპირს და ბალხაშისპირეთს. თ-ის ტერიტ. დაინაწილეს *ოქროს ურდომ*, ჩაღათას ულუსმა და *ჰულაგუიანების* სახელმწიფომ.

XIII—XIV სს-ში გრძელდებოდა თურქმ. ხალხის ჩამოყალიბების პროცესი. ფეოდ. დაქუცმაცებულობის პირობებში თურქმენები მკვეთრად განსხვავდებოდნენ მეზობლებისაგან (უზბეკებისაგან, ტაჯიკებისაგან და სხვ.) თავისი ხანვრადმომთაბარული მეურნეობით, კულტ. და ყოფის თავისებურებებით. ჰულაგუიანების სახელმწიფოს დაცემისა (XIV ს. შუა წლები) და ოქროს ურდოს დასუსტების (XIV ს. 60-იანი წწ.) შემდეგ თ-ის ტერიტორიაზე გაჩნდა რამდენიმე ფეოდ. სამფლობელო. XIV ს. 70—80-იან წლებში თ. დაიპყრო *თემურლენგმა*. თურქმ. ხალხის ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად XV ს-ში დასრულდა. XVI—XVII სს-ში თ-ის ტერიტ. ემორჩილებოდა ხივისა და ბუხარის სახანოებსა და ნაწილობრივ ირანს. ტომობრივი დაქუცმაცებულობის გამო თურქმენებმა ვერ შეძლეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნა.

XVI ს-იდან განვითარდა რუსეთ-თურქმ. ურთიერთობანი. XVII ს. ბოლოს თურქმენების ნაწილი გადასახლდა ჩრდ. კავკასიაში (სტავროპოლის თურქმენები). პეტრე I-ის დროიდან რუსეთ-თ-ის ურთიერთობა ერთგვარად მოწესრიგდა. რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თ-თან ურთიერთობას. XVIII ს. ბოლოს კასპიისპირა თურქმენებს მტკიცე სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ასტრახანთან. XVIII—XIX სს-ში თ-ში გაბატონდა პატრიარქალურ-ფეოდ. წყობილება, თუმცა ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო გვაროვნ.-ტომობრივი ორგანიზაცია. მოსახლ. დაბეგრილი იყო უამრავი გადასახადით, რის გამოც ხშირად აწყობდა აჯანყებებს ხანებისა და ფეოდალების წინააღმდეგ (1855, 1858, 1861).

თ-ის შესელა რუსეთის შემადგენლობაში. თ-ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს-ში. XVIII—XIX სს. მიჯნაზე თითქმის ყველა სავაჭრო გზა აღმ. ევროპასა და შუა აზიას შორის თურქმენებით დასახლ. მიწებზე გადიოდა. XIX ს-ში თურქმ. ტომები — აბდალები, ჩაუდორები, იგდირები, ბურუნჩუკები და ბუზაჩები ოფიციალურად გახდნენ რუს. ქვეშევრდომები (1802 წ. 9 მაისს). კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში მოითხოვდა ბაზრების გაფართოებას, იზრდებოდა ბამბის მოთხოვნილება. შუა აზიაში რუსეთ-ინგლ. მეტოქეობამ გააცხოველა ცარიზმის ინტერესები ამ რეგიონში. 1869 რუსეთმა ჯარი გადასხა კასპიის ზღვის აღმ. სანაპიროზე და დააარსა ქ. კრასნოვოდსკი. თ-ის რუსეთთან შეერთების პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, განსაკუთრებული წინააღმდეგობა გამოხატა თექელთა ტომმა. 1881 წ. 18 იანვ. მეფის ჯარმა აიღო აული ასხაბადი (ახლანდ. აშხაბადი). 1882 თ-ის ტერიტორიაზე შეიქმნა იმპერკასპიის ოლქი (ცენტრი — ასხაბადი), რ-იც ექვემდებარებოდა კავკ. სამეფისნაცვლოს. 1890—97 ოლქი უშუალოდ ემორჩილებოდა სამხ. სამინისტროს, შემდეგ კი შეიყარა **თურქესტანის მხარის** შემადგენლობაში. შემოიღეს ე. წ. სამხ.-სახ. მმართველობა. ოლქებსა და მაზრებს სათავეში ედგნენ სამხ. პირები, აულებს — ადგილ. წარჩინებულები.

თ-ის შესვლას რუს. შემადგენლობაში პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა. თურქმენებმა თავი დააღწიეს გაუთავებელ შინაომებს და უცხო ფეოდალთა ძალმომრეობას. აღიკვეთა მონებით ვაჭრობა, თ. შეუერთდა რუს. კაპიტალიზმის ეკონ. სისტემას. ამავე დროს, ცარიზმის კოლონ. პოლიტიკისა და ადგილ. ფეოდ. ჩაგვრის შედეგად თურქმენები ორმაგი უღლის ქვეშ აღმოჩნდნენ. თურქმ. ხალხი დაუახლოვდა რუს ხალხს და მასთან ერთად ჩაება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თ. იმპერიალიზმისა და რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში (1900—17). XIX—XX სს. მიჯნაზე თ-ში შეიჭრა რუს. და ნაწილობრივ უცხ. კაპიტალი, დაიწყო ნავთის, მადნეულის მოპოვება. გაჩნდა ნახევრად კუსტ. საწარმოები (ბამბის, ზეთის, საპნის), შეიქმნა ეროვნ. პროლეტარიატის პირველი კადრები და სხვ. ცარიზმი ცდილობდა თ. გადაექცია რუს. მრეწვ. აგრ.-ნედლეულის ბაზად (განსაკუთრებით ბამბის).

თ-ში გადასახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა პირველი წრეები ჩამოაყალიბეს 1903—04 ყიზილ-არვათსა და ასხაბადში, 1905 — ჩარჯოუში, მარვში, კრასნოვოდსკში. 1905—07 რევ. დროს რუსი და თურქმ. მუშები მონაწილეობდნენ ოქტ. პოლიტ. გაფიცვასა და რკინიგზის მუშათა ნოემბ. გაფიცვაში, 1905 და 1906 მოხდა ჯარისკაცთა გამოსვლები. 1905—07 რევ. დამარცხების შემდეგ და I მსოფლიო ომის დროს თ-ის მშრომელთა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 1917 თებ. რევ. გამარჯვების შემდეგ მრავალ ქალაქში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები და ჯარისკაცთა კომიტეტები, აღორძინდა ს.-დ. ორგანიზაციები, გაჩნდა ბოლშევიკური ჯგუფები.

თ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პერიოდში (1917—20). პეტროგრადში ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ, 1917 წ. 1 (14) ნოემბ., შეიარაღებულმა აჯანყებამ გაიმარჯვა ტაშკენტში. აჯანყებას მხარი დაუჭირეს თ-ის მშრომელებმაც. 1917 წ. 30 ნოემბ. — 3 დეკ. (13—16 დეკ.) ასხაბადში ჩატარდა იმიერკასპიის ოლქის საბჭოების IV ყრილობა, რ-მაც გამოაცხადა ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და აირჩია სახკომსაბჭო 7 კაცის შემადგენლობით, მ. შ. 5 ბოლშევიკი იყო. საბჭოებში აირჩიეს თურქმენებიც. თურქესტანის მხარის საბჭოების V ყრილობამ (1918 წ. 30 აპრ.) გამოაცხადა თურქესტანის ავტონ. სსრ შექმნა რსფსრ-ის შემადგენლობაში, აირჩიეს რესპ. ცაკი და სახკომსაბჭო. ბანკების, მრეწვ. და ტრანსპ. ნაციონალიზაციამ 1918 წ. I ნახევარში საფუძველი ჩაუყარა სოციალ. ეკონომიკას, მაგრამ ფეოდალებისათვის ბიწის ჩამორთმევა ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა თ-ის სოფლის სუსტი კლასობრივი განფენების გამო.

1918 წ. 11—12 ივლ. ასხაბადში მოხდა ესერულ-მენშევიკური თეთრგვარდიელი ამბოხება, რ-მაც დროებით დაამხო საბჭ. ხელისუფლება იმიერკასპიის მხარეში. კონტრრევ. წინააღმდეგ საბრძოლველად თურქესტანის ასსრ ცაკმა და სახკომსაბჭომ შექმნეს სამხ.-პოლიტ. შტაბი. 1918 წ. 12 აგვ. თ-ში შეიჭრნენ ინგლ. ოკუპანტები. შუა აზიაში დაიწყო ინგლ. ინტერვენციის პერიოდი (1918—20). ინგლ. ინტერვენტებმა და ესერებმა 1918 წ. 20 სექტ. ღამით იმიერკასპიისპირეთში დახვრიტეს 26 ბაქოელი კომისარი. თურქესტანის ასსრ მთავრობის გადაწყვეტილებით, ინტერვენტებთან და ადგილ. კონტრრევოლუციასთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა იმიერკასპიის ფრონტი. 1918 წ. 25 ივლ. ასხაბადში ჩამოყალიბდა არალეგალური ბოლშევიკური კომიტეტი. 1919 აპრ.-იენ. ინგლისი იძულებული გახდა კასპიისპირეთიდან გაეწვია ჯარი (კრასნოვოდსკის მცირერიცხოვანი გარნიზონის გარდა). კონტრრევ. ძალების ხელმძღვანელობა გადავიდა გენ. ა. დენიკინის ხელში. 1919 აპრილში შეიქმნა იმიერკასპიის ფრონტის რევ. სამხ. საბჭო. 17 მაისს დაიწყო წითელი არმიის შეტევა. 21 მაისს განთავისუფლდა ბაირამალი, 23-ში — მარვი, 24-ში — ქუშქა, 7 ივლ. — თეჯენი, 9 ივლ.—ასხაბადი, რ-საც დაერქვა პოლტორაცკი (1927-იდან—აშხაბადი). 1920 წ. 6 თებ. კრასნოვოდსკის განთავისუფლებით დამთავრდა იმიერკასპიის მხარეში კონტრრევ. განადგურება. თ-ში საბჭ. ხელისუფლების აღდგენასა და განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა სრულიად რუს. ცაკმა და რსფსრ სახკომსაბჭოს თურქესტანის კომისიამ. სახალხო რევ. გამარჯვების შედეგად 1920 ხივასა და ბუხარაში შეიქმნა *ხორეზმის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა* და *ბუხარის სახალხო საბჭოთა რესპუბლიკა*, რ-თა შემადგენლობაში შედიოდა თურქმენებით დასახლ. მიწები 1924-მდე.

თ. სოციალისტური მშენებლობის პერიოდში (1921—40). სამოქალაქო ომმა და ინტერვენციამ უდიდესი ზარალი მიაყენა თ-ის ეკონომიკას. თ-ის სამრეწვ. წარმოება 1920 შეადგენდა 1913 დონის 1/7-ს. მოშლილი იყო ტრანსპ., სოფ. მეურნეობა.

1921—22 ოლქში ჩატარდა პირველი აგრ. რეფორმა, რ-ის შედეგადაც 7,8 ათ. უმიწო გლეხურმა მეურნეობამ მიიღო 37,5 ათ. *დეს.* სახნავი მიწა და წყალი. 1924 თ-ის მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სახ. მეურნ. აღდგენის საქმეში. მოწესრიგდა ნავთის ამოღება, იმიერკასპიის რკინიგზა, მრეწვ., სოფ. მეურნ. და სხვ. ბასმაჩთა ბანდების საბოლოო ლიკვიდაციის შედეგად განმტკიცდა საბჭ. ხელისუფლება. 1924 მოხდა შუა აზიის საბჭ. რესპუბლიკების ეროვნ.-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა. 1924 წ. 27 ოქტ. სსრკ ცაკმა მიიღო დადგენილება თურქმ. სსრ-ის შექმნის შესახებ. თურქმ. სსრ საბჭოების I-მა ყრილობამ 1925 წ. 20 თებ. მიიღო დეკლარაცია თურქმ. სსრ-ის შექმნისა და დადგენილება სსრკ-ში შესვლის შესახებ. რესპუბლიკაში გაიშალა ფართო სოციალ. მშენებლობა.

1926 რესპუბლიკაში დაიწყო სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში თ. გადაიქცა ბამბის მეორე რესპუბლიკად (ტაჯიკეთის შემდეგ). განვითარდა მეცხოველეობა (განსაკუთრებით ყარაკულის წარმოება), მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა; შეიქმნა და გაფართოვდა მრეწვ.; ჩამოყალიბდა და გაიზარდა მუშათა კლასი; წარმატებით განხორციელდა კულტ. რევოლუცია (მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა, დაწესდა საყოველთაო დაწყებითი და 7-წლიანი განათლება, შეიქმნა სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი და სხვ.); ჩამოყალიბდა ეროვნ. ინტელიგენცია. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სსრკ ხალხებთან ძმურ კავშირში, თურქმენმა ხალხმა კაპიტალ. წყობის გვერდის აცლით ძირითადად აამენა სოციალიზმი და გადაიქცა ინდუსტრ.-აგრ. სოციალ. რესპუბლიკად, რაც აისახა თურქმ. სსრ კონსტიტუციაში, რ-იც მიღებულ იქნა 1937 წ. 2 მარტს სრულიად თურქმ. საბჭოების საგანგებო VI ყრილობაზე.

თ. 1941—45 დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წლებში. თ-ის მშრომელები მთელ საბჭ. ხალხთან ერთად ერთსულოვნად აღდგნენ გერმ. ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. რესპ. სახ. მეურნეობა მთლიანად გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე. სამამულო ომის ფრონტზე მებრძოლ თურქმენთა რიგებიდან 19 ათ. დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით,

„საქარ-ჩაღას“ სახელმწიფო ჯიშთსაშენის აქლემები საძოვარზე. მარის ოლქი.

თურქმენეთის კპ ყრილობები

I	14/19 თებ.	1925
II	3/9 დეკ.	1925
III	15/22 ნოემბ.	1927
IV	2/10 იანვ.	1929
V	8/14 ივნ.	1930
VI	10/15 იანვ.	1934
VII	7/16 ივლ.	1938
VIII	20/25 თებ.	1939
IX	11/17 მარტი	1940
X	18/22 აგვ.	1950
XI	20/23 სექტ.	1952
XII	13/15 თებ.	1954
XIII	20/22 იანვ.	1956
XIV	16/20 იანვ.	1958
XV	19/20 იანვ.	1959
XVI	16/17 თებ.	1960
XVII	12/14 სექტ.	1961
XVIII	26/27 დეკ.	1963
XIX	24/25 თებ.	1966
XX	19/20 თებ.	1971
XXI	23/24 იანვ.	1976

ხოლო 78 კაცს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის საპატიო წოდება.

ომის შემდგომ წლებში თ-ის მშრომელებმა კომპარტიისა და საბჭ. მთავრობის ხელმძღვანელობით, აგრეთვე მოძმე საბჭ. რესპუბლიკების დახმარებით 1946—60 დაასრულეს სოციალიზმის მშენებლობა და განვითარებული სოციალ. საზ-ბის საფუძველზე შეუდგნენ კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის მშენებლობას. VI—IX ხუთწლედების მანძილზე მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. რესპ. 304 მოქალაქეს მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება. 1957 იანვ. თურქმ. სსრ დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1972 წ. 29 დეკ. — ხალხთა მეგობრობის ორდენით, 1974 წ. 14 ნოემბ. — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ლიტ.: История Туркменистана, Аш., 1966; История Туркменской ССР, т. 1—2, Аш., 1957 (ბიბლიოგრ.).

VI. თურქმენეთის კომუნისტური პარტია

თ-ის კომპარტია სკკპ-ის შემადგენელი ნაწილია. პირველი ს.-დ. ჯგუფები აღმოცენდა 1903—04 ჭიზილ-არვათში. თ-ის ს.-დ. ორგანიზაციების ფუძემდებლები და ხელმძღვანელები იყვნენ ვ. დმიტრიევი, ვ. ბაქრაძე, ვ. ვახნინი, ა. ზაპლატკინი და სხვ. ყველაზე აქტ. მუშაობას ეწეოდა რსდმპ-ის ასხაბადის ორგანიზაცია, რ-მაც 1905 მარტში თ-ში დააარსა პირველი არალეგალური ს.-დ. სტამბა. 1907—10 რეაქციის დროს თ-ის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა ს.-დ. ორგანიზაცია დაარბიეს, ხელმძღვანელები დააპატიმრეს. ბოლშევიკებმა რევ. მოღვაწეობა იატაკქვეშეთში გააგრძელეს.

1917 თებ. რევ. შემდეგ ბოლშევიკები გამოვიდნენ იატაკქვეშეთიდან. 1917 ოქტ. ასხაბადში დაარსდა შუა აზიაში პირველი დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია (ხელმძღვანელები ი. ჟიტნიკოვი, ნ. სორინი). თურქესტანის კპ-ის I-მა ყრილობამ (1918 ივნ.) გააფორმა სამხარეო პარტორგანიზაცია და განსაზღვრა მისი ამოცანები საბჭ. ხელისუფლების განმტკიცებისათვის. იმპერიკასპიის მხარეში მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა. 1918 თ. ოკუპირებულ იქნა ინგლ. ინტერვენტების მიერ. ტერორის მიუხედავად, ბოლშევიკები კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას იატაკქვეშეთიდან და ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის საბჭ. ხელისუფლების აღსადგენად. ამ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა იმპერკასპიის მხარეში სრულიად რუს. ცაკისა და რსფსრ-ის სახკომსაბჭოს თურქესტანის კომისიის წევრების (მ. ფრუნზე, ვ. კუიბიშევი, შ. ელიავა) მოღვაწეობამ. 1920 აგვ. ჩატარდა I საოლქო პარტ. კონფერენცია, რ-მაც აირჩია რკპ (ბ) კომიტეტი. 1925 წ. 14 თებ. გაიხსნა თურქმ. კპ (ბ) I ყრილობა, რ-საც ესწრებოდა მ. კალინინი. ყრილობამ ორგანიზაციულად გააფორმა თ-ის პარტორგანიზაცია, აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები და სხვ. თ-ის კპ(ბ) ხელმძღვანელობით განხორციელდა რესპ. ინდუსტრიალიზაცია, სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია, კულტ. რევოლუცია. დიდი სამამულო ომის დროს თ-ის კპ(ბ) გააჩაღა ორგანიზაციული და პოლიტ. მოღვაწეობა გერმ. ფაშისტთა გასანადგურებლად. ომის შემდგომ ათწლეულში თ-ის პარტორგანიზაცია წარმატებით ხელმძღვანელობდა რესპ. მთელი მრეწვ. განვითარებას, ირიგაციის სისტემის გაუმჯობესებასა და სხვ. თ-ის კპ დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ხალხის მატერ. კეთილდღეობის, განათლებისა და კულტურის ამაღლებას. თ-ის კომუნისტები მთელ ძალებს წარმართავენ სკკპ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად, კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შესაქმნელად.

თ-ის კომპარტიაში 1978 ირიცხებოდა 78918 სკკპ წევრი და 4402 სკკპ წევრობის კანდიდატი.

ლიტ.: Очерки истории Коммунистической партии Туркменистана, 2 изд., Аш., 1965.

VII. თურქმენეთის ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი

თ-ის ალკკ საკავშ. ალკკ-ის შემადგენელი ნაწილია. იატაკქვეშა ახალგაზრდული ჯგუფები აღმოცენდა 1918 ასხაბადში, მარეხა და ქუშქაში. 1919 მაისში ქუშქაში ბოლშევიკების ინიციატივით შეიქმნა პირველი ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი. 1920 ნოემბერში აულ ვექილბაზარში შეიქმნა კომკავშირული უჯრედი. ეს იყო თ-ის აკკ-ის პირველი ორგანიზაცია სოფლად. რალკკ ცკ-ის შუა აზიის ბიუროს 1924 ნოემბ. გადაწყვეტილებით შეიქმნა თ-ის ალკკ-ის ორგბიურო. თურქმ. ალკკ-ის I ყრილობა შედგა 1925 მარტში. მან გააერთიანა რესპ. კომკავშირული ორგანიზაციები, განსაზღვრა მათი ამოცანები სოციალ. მშენებლობის საქმეში. თ-ის კომკავშირელები სოციალ. ინდუსტრიალიზაციისა და სოფ. მეურნ. კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში გამოდიოდნენ კომკავშირული დამკვრელური ჯგუფების დამაარსებლად და სხვ. დიდი სამამულო ომის დროს თ-ის 40 ათ-ზე მეტი კომკავშირელი წავიდა ფრონტზე, მ. შ. 40-ს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის საპატიო წოდება. თ-ის კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობდნენ სოცშეჯიბრებებში, შეფობდნენ ვ. ი. ლენინის სახ. ყარაყუმის არხის მშენებლობას და სხვ. 1975 თ-ის ალკკ დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. თ-ის ალკკ-ის რიგებში 336 ათ-მდე წევრია.

VIII. პროფესიული კავშირები

თ-ის პროფკავშირები სსრკ პროფკავშირების შემადგენელი ნაწილია. პირველი პროფკავშირები თ-ში 1905—07 რევ. პერიოდში შეიქმნა (ასხაბადში — რკინიგზელთა კავშირი, სახელოსნოების მუშათა კავშირი და სხვ.). რევ. დამარცხების შემდეგ ეს კავშირები გაანადგურეს. პროფკავშირების მასობრივი შექმნა 1917 ოქტ. რევ. შემდეგ დაიწყო. 1920 ოქტ-ში იმპერკასპიის ოლქის პროფკავშირების ყრილობამ აირჩია თ-ის პროფკავშირების საოლქო საბჭო. 1925 წ. 28 მარტს პოლტორაცკში (აშხაბადი) გაიხსნა თ-ის პროფკავშირების I დამფუძნებელი ყრილობა, რ-მაც აირჩია პროფკავშირების რესპ. საბჭო. ამ დროს თ-ის პროფკავშირები აერთიანებდნენ 21,3 ათ. კაცს.

სოციალ. მშენებლობის, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ წლებში თ-ის პროფკავშირები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპ. მშრომელთა საქმიანობაში. თ-ის პროფკავშირები ხელმძღვანელობდნენ და კონტროლს უწევდნენ სოციალ. შეჯიბრებას, რაციონალიზატორობასა და გამომგონებლობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, შრომისა და შრომითი კანონმდებლობის დაცვას და ა. შ. 1978 იანვრისათვის თ-ის პროფკავშირები 773 ათ-ზე მეტ წევრს აერთიანებდა.

IX. სახალხო მეურნეობა

ზოგადი დახასიათება. თანამედროვე თ. ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკაა, ტრავალდარგოვანი მრეწველობითა და მექანიზებული სას.-სამ. წარმოებით. სამრეწვ. პროდუქციის მოცულობა 1975 წ. 1913-თან შედარებით 70-ჯერ გაიზარდა.

სსრკ-ის სახ. მეურნეობაში თ. გამოირჩევა ნავთობის, აირის, ქიმ., მანქანათსაშ. და მინის მრეწველობით, აგრეთვე მხატვრული ხალიჩების წარმოებით. სოფ. მეურნ. სპეციალიზებულია ბამბის, ყარაკულისა და ყაჭის წარმოებაზე. თ-ს მოკავშირე რესპუბლიკებში გააქვს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, აირი, ბამბა., ნატურალური აბრეშუმი, ყარაკული, ხალიჩები, ნატრიუმის სულფატი, გოგირდი, იოდი, ბრომი, ბენტონიტი და სხვ. შეაქვს. უმთავრესად შავი ლითონი, მანქანები და ხელსაწყოები, პური, ხე-ტყე, მინერ. სასუქები და სხვ. თ-ის პროდუქცია საზღვარგარეთ გააქვთ თითქმის 50 ქვეყანაში.

მრეწველობა. თ-ში განვითარებულია აირის, ნავთობის, ქიმ., მსუბუქი, ‘ზეთსახდელ-ცხიმეულის, ღვინის, აგრეთვეე ენერგეტ., საშენ მასალათა მრეწველობა.. მრეწვ. პროდუქციის წარმოების შესახებ იხ.. ცხრ. 1.

ნავთობის მოპოვებით ‘ თ-ს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მე-4 ადგილი უკავია (რსფსრ, აზერბ. სსრ და ყაზ. სსრ შემდეგ). ნავთობის მოპოვება 1975 წ. 1913-თან შედარებით 121-ჯერ გაიზარდა. ნავთობის ძირითადი საბადოები ზღვისპირა დაბლობზეა, ჩელექენის ნაპირებთან ზღვის ფსკერიდანაც იღებენ. აირის მოპოვებით თ-ს სსრკ-ში მე-3 ადგილი, უკავია (რსფსრ და უკრ. სსრ შემდეგ). სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტროენერგეტიკა. საბჭ. ხელისუფლების წლებში, გაშენდა ბეზმეინის სრესი (173 *მეგვტ*)), კრასნოვოდსკის თეცი — 2 (170 *მეგვტ*),. ჩარჯოუს თეცი (24 *მეგვტ*), ნებიოთდაღის აირტურბინის სრესი (48 *მეგვტ*)). 1968 დაიწყო მარის სრესის (უდიდესი, თ-ში, 1370 *მეგვტ*) მშენებლობა. მისი პირველი ორი ენერგობლოკი გაშვებულია 1977ბ, შემდეგი—1975. ელექტროენერგიის განმომუშავება 1975 წ. 1940-თან შედარებით 54-ჯერ გაიზარდა. კრასნოვოდსკის ნავთობგადასამუშ. ქ-ნის საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ განვითარდა ნავთობგადასარმუშ. და ნავთობქიმ. მრეწველობა (ჩელექენის ტექ. ნახშირბადის ქ-ნა, ნეფტეზავოდსკის ნავთობგადასამუშ. ქ-ნა). ქიმ. მრეწველობაში წამყვანია იოდის, ბრომის, ნატრიუმის სულფატის, გოგირდის, გოგიირდმჟავას, გლაუბერის მარილისა და სხვ. წარმოება. მრეწვ. ახ. და მზარდი დარგებიაა მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. აშხაბადში არის ცომსაზელი და კრემის ასაითქვეფი მანქანების ქ-ნა, აირქურებისა და. დიდის სინათლის ნათურების ქ-ნები, რ-თა, პროდუქცია საზღვარგარეთაც იგზავნება.. მარის მანქანათსაშ. ქ-ნა ამზადებს ცენტრიდანულ ტუმბოებს ნავთობისათვის, ქ-ნ-ნა „აშნეფტემაში“ — მსხვილგაბარიტიანი ვენტილატორებს ქიმ. მრეწველობისსათვის, ენერგეტიკისათვის და სხვა დარგებისათვის. ბეზმეინის ცემენტის ქ-ნა და აშხაბადის მინის კომბინატი საკავშირო მნიშვნელობისაა. თ-ში არის რკინაბეტონისის კონსტრუქციების კომბინატი, მსხვილპანელიანი სახლთსაშენი, კერამზიტის ქ-ნები და ა. შ.



სატუმბო სადგური, რომელიც ყარაყუმის არხის წყალს აწვდის აშხაბადის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებს.

მსუბუქი მრეწვ. ძირითადი დარგია საფეიქრო მრეწველობა, რ-იც სპეციალიზებულია ადგილ. ნედლეულის (ბამბის, აბრეშუმის) პირველად გადამუშავებაზე, ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის წარმოებაზე. 1976 წ. 1 იანვ. თ-ში მუშაობდა 21 ბამბის ქ-ნა; აშხაბადსა და მარიში სართავ-საქსოვი ფ-კებია, ჩარჯოუში — ბამბის ფ-კა, მარიში — შალის პირველადი გადამუშავების ფ-კა. ფართოდ განვითარდა აბრეშუმის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო და ფეხსაცმლის მრეწვ. (აშხაბადი, ჩარჯოუ), აგრეთვე კვების მრეწვ. დარგები (ზეთსახდელ-ცხიმეულის, ღვინის, პურის, საკონდიტრო, ლუდის, მარილის, ხორცისა და რძის). ადგილ. მრეწვ. აწარმოებს ეროვნ. ხელით ნაქსოვ ხალიჩებს, ხალათებს, არაბჩინებსა და სხვ.

სოფლის მეურნეობა. სოციალ. გარდაქმნების შედეგად თ-ში შეიქმნა მაღალმექანიზებული სოფ. მეურნეობა. 1978 წ. 1 იანვ. იყო 328 კოლ-ბა და 60 საბჭ. მეურნეობა. ყველა მეურნ. ელექტრიფიცირებულია. სას.-სამ. სავარგულებს 37 მლნ. ჰა უკავია. თ. სარწყავი მიწათმოქმედების რესპუბლიკაა. აქ გაშენებულია დიდი საირიგაციო სისტემები. ქვეყნის ეკონ. განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის სახ. ყარაყუმის არხს.

სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მებამბეობა, ნათესი ფართობის სტრუქტურაში ბამბას უკავია 58,1% (1976), მოჰყავთ ყველგან. ნედლი ბამბის მთლიანი მოსავლის მიხედვით თ. მეორე ადგილზეა სსრკ-ში (უზბ. სსრ შემდეგ). მარცვლოვან კულტურებს ნათესების 14,4% უკავია. ხორბალსა და ქერს უმთავრესად ქოფეთდაღის მთისწინა ვაკეზე, მურღაბისა და თეჯენის ოაზისებში თესავენ, ბრინჯს — ამუდარიისპირა თითქმის ყველა რ-ნში. ყველგან მოჰყავთ სიმინდი და სხვა საკვები კულტურები. სოფ. მეურნ. მნიშვნელოვანი დარგებია მებაღეობა, მევენახეობა და მებოსტნეობა. ხილი, ყურძენი და ბოსტნეული მოჰყავთ ძირითადად ქოფეთდაღის მთისწინა ვაკეზე, ბროწეული, ზეთისხილი, ნუში, ლეღვი — ათრაქისა და სუმბარის ხეობებში. თ. ცნობილია მაღალხარისხოვანი ნესვით („გულაბი"). მებაღეობა განვითარებულია ამუდარიის ქვემო და შუა დინებაში, თეჯენისა და მურღაბის ოაზისებში (სას.-სამ. კულტურების ნათესი ფართობისა და მოსავლის შესახებ იხ. ცხრ. 2).

სოფ. მეურნ. მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა, სადაც წამყვანია მევარაკულეობა. ყარაკულის გარდა აშენებენ სარაჯღინის ჯიშის ცხვარს, ნაზმატყლიან ცხვარს, თხასა და აქლემს. ოაზისებში მისდევენ მესაქონლეობას, მეღორეობას, მეფრინველეობას, აშხაბადისა და მარის ოლქებში — მეცხენეობას (აშენებენ ახალთექურ ცხენებს). 1977 წ. თ-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 565,8 (მ. შ. ძროხა — 217,1), ღორი — 131,8, ცხვარი და თხა — 4255,7, ცხენი — 13,2 (1976 წ.), აქლემი — 88,1.

მეაბრეშუმეობა სოფ. მეურნ. ერთ-ერთი უძველესი დარგია, რ-იც ძირითადად განვითარებულია ამუდარიის შუა დინების რ-ნებში. აშხაბადისა და მარის ოლქებში მისდევენ მეფუტკრეობას. ბაირამ-ალის რ-ნში არის სპეციალიზებული მეხილეობა-მეფუტკრეობის საბჭ. მეურნეობა. განვითარებულია თევზჭერა.

ტრანსპორტი. ძირითადია სარკინიგზო ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 2,12 ათ. *კმ* (1975). მთავარი მაგისტრალია კრასნოვოდსკ—ტაშკენტი, მისგან გადის ტოტი მარი — ქუშქა და ნებითდაღ — ვიშკა. საავტ. გზების სიგრძეა 9,5 ათ. *კმ* (1976). მთავარი ხაზებია კრასნოვოდსკ—აშხაბად—მარი—ჩარჯოუ, ჩარჯოუ—ქერქი, მარი—ქუშქა. განვითარებულია ავია-, საზღვ. და სამდ. ტრანსპორტი; არის ნავთობსადენები და აირსადენები.

მატერიალური კეთილდღეობა. სახ. მეურნ. და ეკონ. განვითარებასთან ერთად მაღლდება ხალხის მატერ. კეთილდღეობა. 1974 თ-ის ეროვნ. შემოსავალი 1960-თან შედარებით 2,2-ჯერ გაიზარდა. მოსახლ. რეალური შემოსავალი 1966—75 გაიზარდა 70%-ით და მეტად, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა — 8,7-ჯერ. შემნახველ სალაროებში ანაბრების რიცხვმა 1974 წ. 383 ათ. მიაღწია, ანაბრების ჯამი 356 მლნ. მანეთს შეადგენს. მიმდინარეობს დიდი ბინათმშენებლობა. 1966—75 ქ-ებსა და სოფლებს საექსპლუატაციოდ გადაეცა 4876 ათ. *მ*² საცხოვრ. ფართობი.

ლიტ.: Бабаев А. Г., Лавров А. П., Аманмурадов К. М., География Туркменистана, 8 изд., Аш., 1976; Бабушкин Л. Н., Когай Н. А., Физико-географическое районирование Туркменской ССР, Таш., 1971.

X. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1975 შობადობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 34,4, სიკვდილიანობა — 7,6. საბჭ. ხელისუფლების დროს ლიკვიდირებულია შავი ჭირი, ყვავილი, შებრუნებითი ტიფი, მალარია, ტრაქომა. მკვეთრად შემცირდა ტუბერკულოზით, ბრუცელოზით, ბავშვთა ინფექციური სნეულებებით, ჰელმინთოზებით დაავადების შემთხვევები. 1913 თანამედროვე თ-ის ტერიტორიაზე იყო სულ 13 საავადმყოფო (277 საწოლი), 14 საექიმო ამბულ. და 12 საფერშლო-სამეანო პუნქტი. მუშაობდა 70 ექიმი (1 ექიმი 14,9 ათ. მცხოვრებზე) და 139 საშ. განათლების მედმუშაკი. ქალთა და ბავშვთა კონსულტაციები არ არსებობდა. 1975 მუშაობდა 270 საავადმყოფო დაწესებულება (25,8 ათ. საწოლი, 10 საწოლი 1 ათ. მცხ.). მოსახლეობას საავადმყოფოსგარეშე დახმარებას უწევდა 335 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 1,1 ათ-ზე მეტი საფერშლო და საფერშლო-სამეანო პუნქტი, 62 დისპანსერი. ძნელად მისადგომ მთიან რ-ნებში მოსახლეობას სამედ. დახმარებას უწევდა სანიტ. ავიაცია. მუშაობდა სასწრაფო სამედ. დახმარების 47 სადგური. ქალებსა და ბავშვებს ემსახურებოდა 212 კონსულტაცია, ბავშვთა პოლიკლინიკა და ამბულ., 250-ზე მეტი აფთიაქი და საფთიაქო პუნქტი. 1975 მუშაობდა 6,6 ათ. ექიმი (1 ექიმი 388 მცხ.) და 19,2 ათ. საშ. განათლების სამედ. მუშაკი. სამედ. კადრებს ამზადებს თ-ის სამედ. ინ-ტი (აშხაბადში) და 4 საშ. სამედ. სასწავლებელი. 1975 სამედ. ინ-ტში და 7 სამეცნ.-კვლ. ინ-ტში მუშაობდა 250-ზე მეტი მედ. მეცნ. დოქტორი და კანდიდატი. თ-ში არის 12 სანატორიუმი და პანსიონატი (3,2 ათ. საწოლი), მ. შ. 6 სანავშვოა (1,6 ათ. საწოლი). ყველაზე პოპულარულია კლიმ. კურორტები — *ბაირამ-ალი* და ფირუზა; ბალნეოლ. კურორტი არჩმანი, ტალახისა — მოლაყარა. 1975 თ-ში იყო 19 სტადიონი, 9 საცურაო აუზი, 4 ათ-ზე მეტი სპორტმოედანი, 76 სპორტსკოლა, უმაღლესი სპორტ. დახელოვნების 2 სკოლა, 4 ტურბაზა, 22 გამაჯანსაღებელი სპორტბანაკი და სხვ. 1975 სახელმწ. ბიუჯეტიდან ჯანდაცვასა და ფიზკულტურაზე დაიხარჯა 94,2 მლნ. მან.

XI. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

XX ს. დასაწყისში წერა-კითხვის მცოდნე იყო თ-ის მოსახლ. მხოლოდ 0,7%. 1914/15 სასწ. წ. იმპერიასპაიის ოლქში იყო 58 სკოლა (6,8 ათ. მოსწავლე), მ. შ. სოფლად — 27 (1,5 ათ. მოსწავლე). საშ. და უმაღლესი სასწავლებლები არ იყო.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დაიწყო სახ. განათლების სისტემის ორგანიზაცია. უკვე

ცხრ. 1.—მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1913	1940	1950	1960	1970	1977
ელექტროენერგია (მლნ. *კვტ·სთ*)	2,5	83,5	185,7	751,5	1844	5600
ნავთობი (აირის კონდენსანტის ჩათვლით) (ათ. *ტ*)	129	587	2021	5278	14487	14774*
აირი ბუნებრივი (მლნ. *მ*³)	—	9,2	64,5	234,3	13107	62581*
მინერალური სასუქები (პირობით ერთეულებში) (ათ. *ტ*)	—	—	—	—	368	428
ცემენტი (ათ. *ტ*)	—	—	9,6	132	360	564*
ბამბის ბოჭკო (ათ. *ტ*)	17,7	71,5	63,3	122,5	223	326*
ყაჭი (*ტ*)	—	149	157	169	229	279*
ბამბის ქსოვილი (ათ. *მ*)	—	9706	10515	23580	19014	23150*
აბრეშუმის ქსოვილი (ათ. *მ*)	—	140	96	101	4850	6384*
შალის ქსოვილი (ათ. *მ*)	—	—	339	449	1035	708*
ტყავის ფეხსაცმელი (ათ. წყვილი)	65	712	511	1397	2051	3500
ხორცი (I კატეგორიის, სუბპროდუქტების ჩათვლით) (ათ. *ტ*)	1,8	8,5	4,8	19,5	16,8	28,8*
მცენარეული ზეთი (ათ. *ტ*)	4,8	15,2	14,2	30,5	36,8	53,4*
ყურძნის ღვინო (ათ. *დკლ*)	115	368	255	671	1623	1451*

* 1975

თურქმენეთის ალკა ყრილობები

I	22/26 მარტი	1925
II	20/25 თებ.	1926
III	15/19 მარტი	1928
IV	23/28 მაისი	1929
V	26/29 ნოემბ.	1930
VI	4/6 ივნ.	1932
VII	15/20 თებ.	1936
VIII	25 თებ./5 მარტი	1938
IX	7/12 თებ.	1939
X	30 სექტ./2 ოქტ.	1940
XI	3/6 ივნ.	1947
XII	1/3 თებ.	1949
XIII	16/18 სექტ.	1950
XIV	15/16 მარტი	1952
XV	23/25 იანვ.	1954
XVI	15/16 თებ.	1955
XVII	7/8 იანვ.	1958
XVIII	25/26 იანვ.	1960
XIX	15/16 იანვ.	1962
XX	7/8 იანვ.	1964
XXI	10/11 მარტი	1966
XXII	5/6 მარტი	1968
XXIII	5/6 მარტი	1970
XXIV	3/4 მარტი	1972
XXV	22/23 თებ.	1974
XXVI	28 თებ./1 მარტი	1978

ცხრ. 2.—სას.-სამ. კულტურების ნათესი ფართობი და მოსავალი

	ფართობი (ათ. *ჰა*)					მოსავალი (ათ. *ტ*)				
	1913	1940	1960	1970	1977	1913	1940	1960	1970	1977
ნათესი ფართობი	318,0	410,9	445,6	635,9	864,5					
ბამბა (ნედლი)	69,4	150,4	222,0	397,2	503,3	69,4	210,6	362,8	869,0	1077,9
მ. შ. წვრილბოჭკოვანი	. . .	32,3	80,7	112,1	139,4*	. . .	40,0	119,9	166,8	206,0
ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები	11,4	16,4	22,9	33,3		. . .	107,1	145,8	280,1	345,1**
კარტოფილი	. . .	3,6	1,3	1,7	40,0	. . .	5,9	5,2	13,2	12,8
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	202,2	182,8	71,0	84,3	117,7	159,3	123,8	39,9	69,3	223,5
მ. შ.:										
სიმინდი და ჯუგარა	—	17,9	8,5	4,2	23,1*	28,5	35,2	10,5	11,3	93,2
ბრინჯი	2,0	3,3	. . .	7,9	10,3**	2,2	3,5	0,1	15,3	27,4
საკვები კულტურები	25,4	48,1	124,1	116,1	201,1	. . .	81,3	439,8	716,1	1697,6

* 1976
** 1973

ბამბის თესვა ხოჯამბასის რაიონის კოლმეურნეობა „პრავდის" მინდვრებზე.

ტყავების შრობა ჩარჯოუს ყარაკულის ქარხანაში.



ნავთობის კოშკურების ესტაკადა ჩელექენის ნახევარკუნძულთან.



ზღვის წყლის გასამტკნარებელი დანადგარი. კრასნოვოდსკი.

1918/19 სასწ. წ. მუშაობდა 39 საერო სკოლა, მ. შ. 13 თურქმენული იყო. უდიდეს სირთულეს ქმნიდა თურქმ. პედ. კადრების ნაკლებობა. შეიქმნა მოკლევადიანი სამასწავლებლო კურსები აშხაბადში, კრასნოვოდსკში, ჩარჯოუსა და სხვ. 1922 გაიხსნა პედ. ტექნიკუმი პოლტორაცკში (აშხაბადში). 20-იან წლებში დაიწყო მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და 30-იანი წლებისათვის ძირითადად დამთავრდა კიდეც. 1930 შემოიღეს საყოველთაო სავალდებულო დაწყ. განათლება. თურქმ. ხალხის კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქმ. დამწერლობის გადასვლას არაბ. ანბანიდან ლათინურზე (1928–29), რ-იც შემდგომ შეიცვალა რუს. გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანით (1940). 1970 თ-ში წერა-კითხვის მცოდნე იყო მოსახლ. 99,7%. 1976 ძირითადად დამთავრდა გადასვლა საყოველთაო საშ. განათლებაზე.

1978 თ-ში მუშაობდა 990 სკოლამდელი დაწესებულება (102 ათ-მდე აღსაზრდელი); ყველა ტიპის 1,8 ათ-ზე მეტი ზოგადსაგანმან. სკოლაში სწავლობდა 670 ათ-ზე მეტი მოსწავლე, მუშაობდა 35 ათ-მდე მასწავლებელი, 52 პიონერთა სახლი და სასახლე, 13 ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, 9 ნორჩ ნატურალისტთა სადგური, 44 მუს. და სამხატვრო სკოლა, 76 საბავშვო სპორტსკოლა. 44 პროფტექ. სასწავლებელში სწავლობდა 17,8 ათ. მოსწავლე, 31 საშ. სპეც. სასწავლებელში — 29,4 ათ. მოსწავლე. მუშაობდა 6 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 31,1 ათ. სტუდენტი.

საბჭ. ხელისუფლების წლებში შეიქმნა სამეცნ. დაწესებულებათა ქსელი. 1976 რესპუბლიკაში იყო 60 სამეცნ. დაწესებულება (უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით); მთავარი სამეცნ. ცენტრია *მეცნიერებათა აკადემია თურქმენეთის სსრ-ისა*. მუშაობდა 4,6 ათ. მეცნიერი მუშაკი, მ. შ. თურქმ. მეცნ. აკად. 39 აკადემიკოსი და წ.-კორ., 1800-ზე მეტი მეცნ. დოქტორი და კანდიდატი. თ-ის სამეცნ. დაწესებულებებს შემოქმედებითი კავშირი აქვს მოკავშირე რესპუბლიკების, სოციალ. ქვეყნების სამეცნ. დაწესებულებებთან. თ-ის მეცნიერები მონაწილეობენ საერთაშ. სამეცნ. პროგრამებში (საერთაშ. გეოფიზ. წელი და სხვ.). 1978 თ-ში მუშაობდა 1300-მდე ყველა ტიპის ბ-კა (8 მლნ-მდე წიგნი და ჟურნალი), 11 მუზეუმი, 955 საკლუბო დაწესებულება.

ლიტ.: Пальванова Б. П., Развитие народного образования Туркменистана за годы Советской власти, Аш., 1974.

XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

ოქტ. რევოლუციამდე თ-ს არ ჰქონდა ეროვნ. ბეჭდვითი სიტყვა. 1921 — 24 თურქმ. ენაზე გამოიცა 40 წიგნი (ტირაჟი — 200 ათ. ც.). 1925 იანვ. აშხაბადში დაარსდა თ-ის სახელმწ. გამომცემლობა, რ-მაც პირველსავე წელს გამოსცა 115 დასახელების წიგნი. 1977 ყველა გამომცემლობამ გამოსცა 500-მდე დასახელების წიგნი და ბროშურა (ტირაჟი 4,5 მლნ. ც.), მ. შ. 270 — თურქმ. ენაზე (ტირაჟი დაახლ. 3,8 მლნ. ც.). თ-ის საბჭ. ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია გამოსაცემად ამზადებს პირველი ეროვნ. უნივერს. ენციკლოპედიის 10-ტომეულს (1979-თვის გამოვიდა 2 ტომი).

1920 თურქმ. ენაზე გამოვიდა პირველი საბჭ. გაზეთი „თურქმენისტანი". 1977 თ-ში გამოდიოდა 26 გაზეთი, მ. შ. 7 რესპ., 10 საოლქო, 1 საქალაქო, 2 რ-ნული, 6 ძირეული; გაზეთების საერთო ერთჯერადი ტირაჟია 800 ათ. ც., წლ. — 152 მლნ. ცალზე მეტი. რესპ. გაზეთებია: თურქმ. ენაზე — *„სოვეტ თურქმენისტანი"*, „იაშ კომუნისტი" („ახალგაზრდა კომუნისტი", 1925-იდან), „ედებიათ ვე სუნგათი" („ლიტერატურა და ხელოვნება", 1958-იდან); რუს. ენაზე — „ტურკმენსკაია ისკრა" (1924-იდან), „კომსომოლეც ტურკმენისტანა" (1938-იდან). გამოდის 30 ჟურნალი, რ-თა საერთო წლ. ტირაჟია დაახლ. 10,5 მლნ. ც. თ-ის დეპეშათა საგენტოა თურქმენინფორმი. რეგულარული რადიოგადაცემები თ-ში დაიწყო 1927-იდან, მიმდინარეობს 3 პროგრამით თურქმ. და რუს. ენებზე; ტელეგადაცემები — 1959 ნოემბრიდან. 1974-იდან მუშაობს ფერადი ტელევიზია. ცენტრ. ტელევიზიის გადაცემათა რეტრანსლაცია წარმოებს „ორბიტისა" და „I-ა ვოსტოკის" საშუალებით.

XIII. ლიტერატურა

თ-ის კულტურა ძვ. სპარსულენოვანი და მოსული თურქულენოვანი ტომების, ძირითადად ოღუზების, შერევის შედეგად აღმოცენდა. მასში შერწყმულია ორი ნაკადი — თურქმ. და ირან., ამიტომაც ხალხ. და ძვ. ლიტ-რის ძეგლები საერთო აქვს თურქმ. და სხვა (ტაჯიკ, სპარსელ, უზბეკ, აზერბაიჯანელ, თურქ) ხალხებს.

თ-ის ხალხურმა სიტყვიერებამ შეინარჩუნა ინდო-ირან. და თურქ. საწყისები. ხალხ. შემოქმედების ეპიკური ჟანრებიდან განვითარებულია *დასთანი*. საგმირო დასთანები თურქ. (ოღუზურ) თემატიკაზეა აგებული. უძველესია IX—XV სს-ში შექმნილი და XVI ს-ში შეგროვილი თქმულებები — „დედე გორგუდის წიგნი". დიდი პოპულარობით სარგებლობს ეპოსი „ქოროღლუ". რომანტ. დასთანები წარმოადგენენ ავტორთა მიერ ცნობილი აღმ. სიუჟეტების გადამუშავებას (მაგ., „ლეილი და მაჯნუნი", „იუსუფ და ზულეიხა", და სხვ.). სპეციფ. საზ.-პოლიტ. პირობების გამო თურქმ. ლიტ-რა, ფოლკლორის მსგავსად, XX ს. 20-იან წლებამდე ზეპირად ვრცელდებოდა, რაც ლიტ. თხზულებების გახალხურებისა და სინკრეტიზმის მიზეზი გახდა.

სელჩუკთა სამხ. ლაშქრობების შედეგად დას. მიწებზე დასახლებულ თურქმენთაგან მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი და პოეტი გამოვიდა. ასეთები არიან ადრინდ. სელჩუკური პოეზიის წარმომადგენლები მცირე აზიაში, რ-ებიც წერდნენ სპარს. ენაზე (ჩელები ჭუსამედინი და სხვ.). აღსანიშნავია პოეტ-სულთნების ჯალალედინ მალიქ-შაპისა (გ. 1092) და მისი ვაჟის სანჯარის (1086—1157) შემოქმედება. მოგვიანებით თემურიდთა (1370—1507) და დიდი მოგოლების კარზე ინდოეთში (1526—1858) სპარს. ენაზე წერდნენ წარმოშობით თურქმ. ჰილალი ჩაღათაი (XVI ს.), ბაირამ-ხან ხანხანანი (წერდა თურქ. ენაზეც) და მისი ვაჟი რაჰიმ-ხანი (XVII ს.), მირზა ბარხუდარ თურქმენი (XVII ს.) და სხვ. შუა აზიის თურქულენოვანი ლიტ-რა ვითარდებოდა XI ს-იდან, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი ენობრივი და ეროვნ. დიფერენციაცია. ყველა თურქულენოვანი ხალხის საუნჯეა მაპმუდ ქაშგარის (XI ს.), იუსუფ ბალასაღუნის (XI ს.), სუფიური პოეზიის პირველი წარმომადგენლის აპმედ იასავის (გ. 1166) თხზულებები, აგრეთვე XII ს. პოეტის ალის დასთანი „ყისაი იუსუფი", XV ს. სუფი პოეტის ვეფაის თხზულებები, რ-ებშიც პოპულ. ფორმით არის გადმოცემული ისლამის საფუძვლები, მორალის ნორმები და ა. შ. XVIII ს. შუა ხანებამდე თ-ის ლიტ-რაში ჭარბობდა დიდაქტ. პოეზია, რ-იც გამოხატავდა ისლამურ-სუფიურ დოგმატიკას. ამ ლიტ-რის ენა, შუა აზიურ-თურქ. (ჩაღათაური), დაშორებული იყო სალაპარაკო თურქმ. ენას. ამ ენაზე წერდა პოეტი აზადი (1700—60).

XVIII ს. II ნახევარში ახ. სოც. პირობებმა და დამპყრობლებთან ბრძოლამ განაპირობა სამოქალაქო პატრ. პოეზიის შექმნა. გაჩნდა პოლემიკური ლექსები, ეპისტოლური ფორმა — პოეტების მიმოწერა სხვადასხვა, მ. შ. სამეცნ. და ყოფით თემაზე. აღსანიშნავია პოლემიკა მაქთიმყულისა (XVIII ს.) და დურდი-შაჰირს შორის და სხვ. პოეტური მიმოწერის ტრადიცია შემორჩენილია დღემდე. მაგ., მიმოწერა ათა სალიჰსა (1908—64) და დურდი გილიჩს (1886—1950) შორის. XVIII ს. პოეტებმა პოეზიის ენა სალაპარაკოს დაუახლოვეს. თ-ის ლიტ-რის ახ. მიმართულების ფუძემდებელია მაქთიმყული. მან, პირველმა თურქმ. ლიტ-რაში, გამოიყენა თურქულენოვანი ხალხების ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სილაბური ოთხტაეპიანი ლექსი „გოშგი", წერდა არუზის საზომითაც. მშობლიური ლიტ-რის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პოეტებმა ანდალიბმა (1712—80), შაბენდემ (1720—1800), შეიდაიმ (1730—1800), მაღრუფიმ (1735—1805), სეიდიმ (1775—1836), ზელილიმ (1795—1850) და სხვ.

XIX ს. პოეზიის ძირითადი ჟანრია ლირიკა. აღსანიშნავია მოლანეფესის (1810—62), აბდულათარ ყაზის (დ. და გ. წლები უცნობია), ღალიბის (1766—1848)), ქათიბის (1803—81) და სხვათა შემოქმედება, პოეტ მამედველი ქემინეს (1770—1840) სოც. სატირები. რუსეთთან შეერთებების შემდეგ სოც. უთანასწორობის წინააღმდეგ სახ. პროტესტის გამომხატველნი არიან ქემინეს მიმდევრები: პოეტები შაიერამ შაპირი (1871—1948), ქორმოლა (1872—1934), მოლამურთი (1879—1930)), დურდი გილიჩი და სხვ. საბჭ. თურქმ. მწერალთა თხზულებებში აისახა მნიშვნელოვანი მოვლენები: რეფორმების შედეგად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, ეროვნ. განცალკევება, თურქმ. რესპ. დაარსება (ყარაჯა ბურუნოვის ლექსი „საჭიროა მუშაობა", 1925; მოლამურთის ლექსი „მიწა-წყალი თქვენია", 1926 და სხვ.). ახ. თაობამ (ათა სალიჰი, ბერდი ქერბაბაევი, ამანდურდი ალამიშევი, შალი ქექილოვი) გააფართოვა ლიტ-რის თემატიკა.

20-იან წლებში ჩაისახა რეალისტური პროზა. პროზის განვითარებას ხელი შეუწყო რუს. კლასიკური და საბჭ. ლიტ-რის თარგმნამ. აღსანიშნავია იაკუბ ნასირლის (1899—1958) და ბ. ქერბაბაევის მცირეთხრობები. ჩაისახა დრამატურგია (ათა, კაუშუთოვი, 1903—53).

30-იან წლებში შეიქმნა რომანებები ისტ.-რევ. თემაზე (ხიდირ დერიაევი, დდ. 1905; ბ. ქერბაბაევი, ა. ქექილოვი, 1912—74).

დიდი სამამულო ომის წლებში წამყვანი თემა გახდა საბჭ. მეომრების შემაცობა. ამ მხრივ აღსანიშნავია პ. ნურბერდიევის (1909—72) პოემა „პატრიოტი მოხუცი" (1941); ბ. ქერბაბაევის მოთხრობა „ყურბან დურდი" (1942); ყარა სეიითოლიევის (1915—71), ბერდი სოლთანიაზოვის (დ. 1908) თხზულებები.

50-იანი წწ. ლიტ-რის თემაა მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა, სოციალ. მშენებლობა, ხალხთა მეგობრობა, ინტერნაციონალიზმი. აღსანიშნავია ათა ათთაგანი-

ვის (დ. 1922), მამედ სეიდოვის (დ. 1925) და სხვათა შემოქმედება.

60-იან წლებში, განსაკუთრებით 70-იანი წწ. დასაწყისში, შეიქმნა მნიშვნელოვანი დიდტანიანი თხზულებები: გილიჩ ყულიევის (დ. 1915) რომანი „შავი ქარავანი" (1971), ბექი სეითაქოვის (დ. 1915) რომან-ეპოპეა „ძმები" (წგნ. 1—3, 1960—70) და სხვ. განვითარდა კრიტიკა და ლიტმცოდნეობა.

ლიტ.: Кор-оглы Х., Туркменская литература, М., 1972.

XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

თ-ის ტერიტ. უძველესი კულტ. ძეგლები ძვ. წ. V ათასწლ. განეკუთვნება (დასახლება ჯეიოუნი). შემონახულია ენეოლითის პერიოდის დასახლებათა ნაშთი (ძვ. წ. IV—III ათასწლ., ყარათეფე). ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III — II ათასწლ.) შეიქმნა უზარმაზარი დასახლებანი (ნამაზგათეფე). განვითარებული იყო კერამიკა. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში თ-ის ტერიტორიაზე აღმოცენდა ქ-ები, რ-ებიც ძვ. წ. VI—IV სს-ში გარშემორტყმული იყო გალავნებით (ქიუზელი-გირი).

V—VII სს. ადრინდ. ფეოდ. ხანაში თ-ის ტერიტორიაზე აშენებდნენ ფეოდ. რეზიდენციებს, ციხე-დარბაზებს (ყიზყალა მარვში). იმ პერიოდის ნაგებობათა ტიპებზე წარმოდგენას იძლევა სამარხებში აღმოჩენილ ოსოარიუმებზე შესრულებული გამოსახულებანი.

განვითარებული შუა საუკ. პერიოდში (განსაკუთრებით XI—XII სს.) აყვავდა ქ-ები (ნაქალაქარი მეშედი-მისრიანი), ალიზთან ერთად ხმარობდნენ გამომწვარ აგურსაც. გავრცელდა კამაროვან-გუმბათოვანი კონსტრუქციები. იყენებდნენ არქიტ. დეკორს (კვეთილი სტუკი, აგურის დეკორ. წყობა, ორნამენტული მოხატულობა; XII ს-იდან — მოჭიქული ფილები). მარვში შემორჩენილია 4-აივნიანი, ცენტრალურ-ეზოიანი სახლის ნანგრევები. შენდებოდა მეჩეთები, მავზოლეუმები ხორასანთან (სულთან სანჯარის მავზოლეუმი) და სხვა ქ-ებში. XIV ს. არქიტ. ნაგებობები კომპოზიციურად რთულია, დეკორი — უხვი. XV ს. მიეკუთვნება 2 უნიკალური ნაგებობა: ანაუს მეჩეთი და 2 სარდლის სამარხი მარვში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში განვითარებული იყო მეხალიჩეობა, რ-იც სათავეს უძველესი დროიდან იღებს. რუს. იმპერიასთან შეერთების შემდეგ თ-ში აშენდა ახ. ქ-ები (კრასნოვოდსკი, ასხაბადი და სხვ.). 1870-იან წლებში თ-ში სამუშაოდ ჩავიდნენ რუსი მხატვრები (ნ. კარაზინი და სხვ.). 1880—90-იან წლებში აქ მოღვაწეობდა პირველი პროფესიონალი თურქმ. მხატვარი ნაზარ იომუდსკი.

საბჭ. თ-ის ქალაქთმშენებლობა გაპირობებულია მრეწვ. განვითარებით. 1930-იან წლებში მოღვაწეობდნენ ადგილ. არქიტექტორები. 1930—40-იან წლებში დამუშავდა ახ. დაბების გენგეგმები. განაშენიანება კომპლექსურია. 1948 მიწისძვრის შემდეგ შეიმუშავეს ახ. სეისმგამძლე შენობების პროექტები. 1950-იან წლებში ფართოდ გაიშალა მშენებლობის ინდუსტრ. მეთოდი.

თ-ის საბჭ. სახვ. ხელოვნ. შექმნა დაკავშირებულია რ. მაზელისა და ა. ვლადიჩუკის შემოქმედებასთან. 1920-იან წლებში რევ. და ახ. ცხოვრების თემებზე იქმნება ნამუშევრები (ბ. ნურალის, ს. პეგლიაროვის შემოქმედება). 1930-იან წლებში თ-ში შეიქმნა მხატვართა კავშირი. ხელოვნება ვითარდება სოც. რეალიზმის მეთოდების საფუძველზე (ს. ბეგლიაროვი, ბ. ნურალი, ი. დანეშვარი). 1950—60-იან წლებში შექმნილ ნამუშევრებში ასახულია თ-ის საზ. განვითარების თავისებურებანი (ი. კლიჩევი, ა. ჰაჯიევი, ა. ყულიევი და სხვ.). ფერწერის ძირითად ჟანრად რჩება თემატური სურათი. 1960-იან და 70-იანი წწ. I ნახევარში მოღვაწეობენ მხატვრები ს. ბაბიკოვი, მ. მამედოვი, დ. ბაირამოვი. შეიქმნა თეატრ.-დეკორ. ფერწერა და მონუმ.-დეკორ. ხელოვნება. აღმავლობას განიცდის ხალხ. და დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნება. აღორძინდა ხალხ. ხელოვნ. უძველესი სახეები.

ლიტ.: Архитектура Советского Туркменистана, под ред. Ю. Н. Кацнельсона, М., 1972; Живопись Туркмении. [Альбом, авт.-сост. М. Н. Халаминская], М., 1974; Памятники архитектуры Туркменистана, Л., 1974.

XV. მუსიკა

თ-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მუს. ხელოვნ. უძველესი ძეგლები ძვ. წ. III—II სს. განეკუთვნება. ეროვნ. ფოლკლორის განვითარება უძნელეს პირობებში ხდებოდა (თათარ-მონღოლთა შემოსევები, მეზობელი მუს. კულტურებისაგან იზოლაცია). ეს პროცესი XVIII—XIX სს. მიჯნაზე დამთავრდა.

თურქმ. ხალხ. სიმღერა ერთხმიანია. სიმღერები უმეტესად საწესჩვეულებოა (საქორწილო, იავნანები, ქალწულთა ლირ., კალენდარული, შრომისა და სხვ.). ორიგინ. ჟანრია ზიქრი (რიტუალური წყევლა-კრულვა). თურქმ. საკრავებია დუთარი (სიმებიან-ჩამოსაკრავი), გიჯაქი (სიმებიან-ხემიანი), დილი-თუდუქი, თუდუქი, გოფუზი (სასულეები). ხალხურმა პროფ. ხელოვნებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია ბახშების მიერ შესრულებულ დასთანებში.

ოქტ. რევ. შემდეგ ჩამოყალიბდა თ-ის პროფ. მუსიკა. 1929 აშხაბადში გაიხსნა სამხატვრო ტექნიკუმი თავისი მუს. განყ-ბით (შემდგომში მუს. სასწავლებელი), 1935 — მოსკ. კონსერვატორიის თურქმ. განყ-ბა. ეროვნ. საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია დ. ოვეზოვი.

1941 გაიხსნა თ-ის ოპერისა და ბალეტის თეატრი. დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა პირველი თურქმ. ოპერები: ა. შაპოშნიკოვის „ზოპრე და ტაპირი" (1941), გ. კახიანის „ბახშის ბედი" (1941), ბ. შეხტერისა და ა. ყულიევის „იუსუფ და ახმეთი" (1942), ი. მეიტუსისა და ოვეზოვის „ლეილი და მაჯნუნი" (1946); ბალეტები: კ. კორჩმარიოვის „ალდარ-ქოსე" („მხიარული მატყუარა", 1942), ა. ზნოსკო-ბოროვსკისა და ვ. მუხათოვის „აქფამიქი" (1945) და სხვ. შეიქმნა ნაწარმოებები თანამედროვე თემაზე — მეიტუსისა და ყულიევის ჰეროიკულ-პატრ. ოპერა „აბადანი" (1943), ა. ყულიევის პოემა-კანტატა „ყურბან დურდი" და სხვ. 50-იან წლებში განსაკუთრებით განვითარდა კანტატურ-ორატორული ჟანრი. ცნობილი შემსრულებლები არიან: დირიჟორი — თურქმ. სსრ სახ. არტისტი ხ. ალანუროვი; მომღერლები — სსრკ სახ. არტისტები ა. ანაყულიევა, მ. ყულიევა, მ. შახბერდიევა; ახ. თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: რ. რეჯებოვი, რ. ალაიაროვი, საკავშ. ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ჩ. ნურიმოვი. სახელმოხვეჭილი ბახშიები არიან თ. სუხანყულიევი, პ. სარიევი და სხვ.

თურქმ. სსრ-ში მუშაობს (1975) მაქთიმ-ყულის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი; მუს.-დრამ. თეატრი (1938, თაშაუზი); მ. თაჩმურადოვის სახ. ფილარმონია (1938); ხელოვნ. პედ. ინ-ტი (1972, აშხაბადი), დ. ოვეზოვის სახ. რესპ. მუს. სასწავლებელი (1929, აშხაბადი); მუს. სასწავლებელი (1975, ჩარჯოუ), 38 მუს. სკოლა. 1939 დაარსდა თურქმ. სსრ კომპოზიტორთა კავშირი.

ლიტ.: История музыки народов СССР, т. 1—5, М., 1970—74; Успенский В. А., Беляев В., Туркменская музыка, М., 1928.

XVI. ბალეტი

პირველი თურქმ. ხალხ. ცეკვები (ხიმლი, აი-თერექი, გუნ-თერექი, კუშტ-დენთი) მხოლოდ ოქტ. რევ. შემდეგ შეიქმნა (ხალხ. ტრადიციების სრული უქონლობა ხელოვნ. ამ დარგში გაპირობებულია რელიგ. ცრურწმენებით, რ-იც კრძალავდა ცეკვას). 1939 საოპერო სტუდიის საბალეტო განყ-ბამ (დაარსდა 1937 აშხაბადში) დადგა საბავშვო ცეკვა „აქ-ეშექლი" და „ჯიგიტების ცეკვა" (ბალეტმაისტერი ლ. იაკობსონი). 30-იან წლებში თურქმ. ბავშვების ჯგუფი გაიგზავნა ლენინგრ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან 1941 აშხაბადის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეიქმნა საბალეტო დასი (კ. ჯაფაროვი, რ. ანაყურბანოვი, ხ. ისმაილოვი, ნ. მურადოვი და სხვ.). 1942 ბალეტმაისტერმა ნ. ხოლფინმა დადგა პირველი ეროვნ. ბალეტი კ. კორჩმარიოვის „ალდარ-ქოსე" („მხიარული მატყუარა"). თეატრის სცენაზე დაიდგა ბალეტები: ბ. ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი" (1946), ა. კრეინის „ლაურენსია" (1948), პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა" (1952), ა. ადანის „ჟიზელი" (1956), პ. ჰერტელის „ამაო სიფრთხილე" (1958), ლ. მინკუსის „დონ კიხოტი" (1959), ა. გლაზუნოვის „რაიმონდა" (1960) და სხვ. 60-იან წლებში დასი შეივსო ახალგაზრდა მსახიობებით (მ. გელდიევა, კ. კოჟემიაკინა, ნ. პეხაციევა, ი. პურსიანოვი და სხვ.). თურქმ. საბალეტო ხელოვნ. შექმნასა და განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ბალეტმაისტერებს ლ. ვოსკრესენსკაიას, ნ. ხოლფინს, ლ. ფლეგმატოვს და სხვ. ბალეტის ცნობილი მოღვაწენი არიან თურქმ. სსრ დამს. არტისტები კ. ისმაილოვი, ლ. კონდიუკოვა, ბ. მამედოვა და სხვ.

XVII. დრამატული თეატრი

ოქტ. რევოლუციამდე თურქმ. ხალხს არ გააჩნდა პროფ. თეატრ. ხელოვნება. თეატრ. სანახაობათა ელემენტებს შეიცავდა ხალხ. მომღერალთა და მთქმელთა შემოქმედება, სპორტ. შეჯიბრებები, წეს-ჩვეულებები. 1918-იდან თ-ში იქმნება თვითმოქმედი თეატრ. წრეები. 1919 თურქმ. დრამ. წრის ძალებით ყიზილ-არვათში დაიდგა მუშა ჰ. ათაშეევის პიესა „ყიზილ-არვათის ალება წითელი ჯარის მიერ". 1926 გაიხსნა პირველი ეროვნ. დრამ. სტუდია, რ-ის ბაზაზე 1929 შეიქმნა თურქმ. თეატრი, ახლანდ. მოლანეფესის სახ. თურქმენეთის დრამის თეატრი. იდგმებოდა თანამედროვე დრამატურგთა პიესები. ამაღლდა აქტიორთა სასცენო ოსტატობა, გაიზარდა რეჟისორთა ეროვნ. კადრები. ქ-ებში მარიში, ქერქიში, ყიზილ-არვათსა და სხვ. გაიხსნა თეატრები. სამამულო ომის წლებში თ-ის თეატრებში იდგმებოდა პატრ. პიესები. ომის შემდგომ პერიოდში საუკეთესო თეატრ. ნამუშევართაგან აღსანიშნავია გ. მუხთაროვის „ალანის ოჯახი", კ. სეითლიევისა და მუხთაროვის „მწყემსის შვილები" (ორივე 1949), ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი" (1951), უ. შექსპირის „ოტელო" (1954) და სხვ. 1955 მოლანეფესის დრამ. თეატრი



სავიტრინე მინის მთავარი კონვეიერი აშხაბადის მინის კომბინატში.

ჩარჯოუს აბრეშუმის კომბინატი.



ვ. ვისოტინი. „თურქმენინფორმის" სააგენტოს შენობა. 1970. აშხაბადი.

ნაჯმედინ ქუბრის მავზოლეუმი. XIV ს. პორტალის ფრაგმენტი. კუნია-ურგენჩი.

კ. იარმამედოვი. თურქმენის პორტრეტი. ხე. 1966. თურქმენეთის სსრ მხატვართა კავშირის საგამოფენო ფონდი. აშხაბადი.

მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ თურქმ. ლიტ. და ხელოვნ. დეკადაში. 60—70-იან წლებში თ-ის თეატრებში იდგმებოდა თურქმ., რუს. და უცხოელ დრამატურგთა პიესები. 1926-იდან აშხაბადში მუშაობს ა. პუშკინის სახ. რუს. დრამ. თეატრი, 1964 გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა თეატრი. თ-ის თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს სსრკ სახ. არტისტებმა ა. კარლიევმა და მ. კირილოვმა. რესპ. თეატრ. მოღვაწეთაგან აღსანიშნავი არიან (1975): სსრკ სახ. არტისტები ა. ყულმამედოვი, ბ. ამანოვი, ა. დურდიევი, სონა მურადოვა; თურქმ. სსრ სახ. არტისტები სურაი მურადოვა, კ. ბერდიევი, კ. დურდიევი და სხვ.

ლიტ.: **История советского драматического театра, т. 2, 6, М., 1966—71; Керими К., Туркменский академический театр драмы им. Молланепеса, Аш., 1969.**

XVIII. კინო

1926 თურქმ. სსრ სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით პოლტორაცკში (ახლანდ. აშხაბადი) შეიქმნა კინოფაბრიკა, შემდეგ კინოსტუდია „თურქმენფილმი", სადაც თავდაპირველად იღებდნენ დოკუმენტურ ფილმებს. 30-იან წლებში აქ მოღვაწეობდნენ რეჟისორები და ოპერატორები ვ. ლავროვი, დ. მამედოვი, ა. ფროლოვი, ბ. მურატოვსკი, ნ. კოპისოვი და სხვ. 1931 გამოვიდა პირველი თურქმ. მხატვრული ფილმი „დავიწყება არ შეიძლება" (რეჟ. დ. პოზნანსკი). დიდი სამამულო ომის წლებში აშხაბადის კინოსტუდიაში მუშაობდნენ უკრ. კინემატოგრაფისტები. 50—70-იან წლებში გადაიღეს ფილმები „მწყემსის ვაჟი" (1955, რეჟ. რ. პერელშტეინი), „ოჯახის პატიოსნება" (1957, რეჟ. ი. მუთანოვი), „პირველი გამოცდა" (1959, რეჟ. ხ. აღახანოვი და პ. სიროვი), „შეჯიბრი" (1964, რეჟ. მანსუროვი), „უდაბნო" (1966, რეჟ. ე. ხაჩატუროვი), „ოქროს ფერი" (1974, რეჟ. ხ. კაკაბაევი), „შავი ქარავანი" (1975, რეჟ. ი. ბორეცკი) და სხვ. თურქმ. კინოს განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსახიობმა და რეჟისორმა ა. კარლიევმა, რ-ის სახელი მიენიჭა კინოსტუდია „თურქმენფილმს". კინოს წამყვანი მსახიობები არიან გ. ხოჯაევი, ს. კარიევი, ო. დურდიევა, ბ. ანანოვი, ჟ. სმელიანსკაია და სხვ.; ოპერატორები — ა. კარპუხინი, გ. იაზხანოვი, მ. ყურბან-კლიჩევი და სხვ.

ლიტ.: **Репин И., Абдуллаев Б., Туркменское кино, Аш., 1974.**

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 96. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 80—81.

თურქმენეთის უნივერსიტეტი მ. გორკის სახელობისა, დაარსდა 1950 ქ. აშხაბადში პედ. ინ-ტის ბაზაზე. 60-იან წლებში უნ-ტის ტექ. ფაკ-ტების საფუძველზე გაიხსნა პოლიტექ. ინ-ტი. 1978 თ. უ-ში იყო მათ., ფიზ., ბიოლ.-გეოგრ., ეკონ., ისტ., თურქმ. ფილოლ., რუს. ფილოლ., უცხო ენების, იურიდ., ფიზ. აღზრდის ფაკ-ტები, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფორმები, მოსამზადებელი განყ-ბა, ასპირანტურა, 47 კათედრა, პრობლემური ლაბორატორია, ბ-კა (500 ათ. ტ.); სწავლობდა 10 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 665 მასწავლებელი და მეცნ. მუშაკი, მ. შ. 12 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 240 მეცნ. კანდიდატი და დოცენტი. უნ-ტი გამოსცემს „სამეცნიერო წერილებს" (1954-იდან).

თურქმენეთ-ხორასნის მთები, მთათა სისტემა ირანსა და თურქმ. სსრ-ში, ელბურსისა (დას.) და ფაროფამიზის მთებს (აღმ.) შორის. სიგრძე 600 *კმ*-ზე მეტი, სიგანე 250 *კმ*-მდე, სიმაღლე 3314 *მ*-მდე. ათრაქისა და ქაშაფრუდის გასწვრივი ხეობები და ქვაბულები თ.-ხ. მ-ს ორ ნაწილად ყოფს — *ქოფეთდაღი* (ჩრდ.) და *ნიშაბურის მთები* (სამხრ.). თ.-ხ. მ. ძირითადად აგებულია დანალექი ქანებით. დამახასიათებელია მაღალი სეისმურობა. მთისწინეთში აბზინდიან-ეფემერული უდაბნოებია, მთაში — მაღალბალახეული და ეკლიანი ბუჩქნარები, აქაიქ — ღვიისა და ფსტის ხეები, თხემზე — მთის სტეპი. წიაღისეულიდან არის ქვანახშირი, პოლიმეტალები, საშენი მასალა, აირის დიდი საბადო.

თურქმენული ენა, განეკუთვნება თურქულ ენათა სამხრ.-დასავლურ (ოღუზურ) ჯგუფს. გავრცელებულია ძირითადად თურქმ. სსრ-ში. ლაპარაკობს დაახლ. 1,5 მლნ. კაცი (1970). თ. ე-ის ფონეტ. სისტემისათვის დამახასიათებელია გრძელი ხმოვნები, ინტერდენტალური თანხმოვნები C და З, ხმოვანთა ჰარმონია, მჟღერი ანლაუტი, ყრუ აუსლაუტი, დინამიკური მახვილი. გამოიყოფა 11 მეტყველების ნაწილი. სახელთა ბრუნება ერთია, ბრუნვა—6. ზმნას აქვს პირის, რიცხვის, დროის, კილოს, აქტის, თანამდევრობის, ასპექტის, გვარის, კონტაქტის კატეგორიები. დრო-კილოთა სისტემა ქმნის 13 მწკრივს. პირის ნიშნები გამოხატულია შემასმენლობითი და კუთვნილებითი აფიქსებით. მიმღეობის ფორმები აქვს სამივე დროს. აბსოლუტივი ოთხია. სინტაქსური დამოკიდებულების სახეებია შეთანხმება, მართვა, მირთვა. ქვემდებარე წინადადების თავშია, შემასმენელი — ბოლოში. ძირითადი ლექსიკური ფონდი თურქმენულია; მრავლადაა არაბ.-სპარს. და რუს. ენებიდან ნასესხები სიტყვები. თ. ე-ში გამოიყოფა დიალექტების 2 ჯგუფი: I — თექეს, სარიქის, სალირის, იომუდის, ყარადაშლიალილის, ერსარის და სხვა დიალექტები; II — ქოფეთდაღის ველებისა და ამუდარიისპირეთის დიალექტები.

სალიტ. თ. ე-ის ჩამოყალიბება დაიწყო XV—XVI სს-ში. დამწერლობა თავდაპირველად არაბული იყო. 1928 შემოიღეს ლათ. ანბანი, 1940-იდან — რუს. ანბანის საფუძველზე შემუშავებული გრაფიკა.

ლიტ.: **Азимов П. А., Амансарыев Дж., Сарыев К., Туркменский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 2, М., 1966; Грамматика туркменского языка, ч. 1, Аш., 1970.** *ვ. ჯანგიძე.*

„თურქმენფილმი", მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია თურქმენეთში (ქ. აშხაბადი). დაარსდა 1926. 1938—58 ეწოდებოდა აშხაბადის კინოსტუდია. 1958 — „თ." სტუდიაში მუშაობენ: სსრკ სახ. არტისტი ა. კარლიევი, ხ. აღახანოვი, მ. ათახანოვი, ბ. მანსუროვი; რეჟისორ-დოკუმენტალისტები — მ. მეი, ხ. იაკუბოვი, ნ. კოპისოვი, ი. სეიდოვი, კ. ორაზსახათოვი და სხვ.; ოპერატორები—ხ. ნარლიევი, შ. ანაევი, ვ. ლავროვი, ბ. ორაზოვი და სხვ. გადაღებებისათვის „თ-ს" აქვს ორი პავილიონი, ლაბორატორია, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საწარმოო-შემოქმედებითი კორპუსი. სტუდია ყოველწლიურად უშვებს 2 მხატვრულ ფილმსა და 7—9 დოკუმენტურ ნარკვევს, კინოჟურნალებს; თურქმ. ენაზე ახმოვანებს საბჭ. და საზღვარგარეთულ ფილმებს.

თურქოლოგია, მეცნიერებათა კომპლექსი, რ-იც შეისწავლის თურქულენოვანი ხალხების ენას, ლიტ-რას, ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას. თავდაპირველად თ. უმთავრესად ვითარდებოდა როგორც ფილოლოგიური დისციპლინა. მისი მნიშვნელოვანი წყაროა: მდ. ორხონისა და ენისეის ზემო წელზე აღმოჩენილი წარწერები (უმთავრესად VII—X სს.), ძვ. უიღურული დამწერლობის ძეგლები, შუა საუკ. არაბულ- და სპარსულენოვანი ავტორების გეოგრ. და ისტ. თხზულებანი, რ-ებიც ძვირფას მასალას წარმოადგენენ თურქ. ენების და მასზე მოლაპარაკე ტომთა ისტორიისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სწავლული თურქი მაჰმუდ ქაშგარის (XI ს.) თხზულებას „დივანუ ლუღათ ათ-თურქ" („თურქულ ენათა ლექსიკონი"), რ-იც შეიცავს ლინგვისტური, ისტ., ეთნოგრ. და ფოლკლორული ხასიათის უამრავ ცნობას თურქულენოვანი ხალხების შესახებ. თურქ. დამწერლობა და ლიტ-რა განვითარდა ერთი მხრივ დასავლეთში — სელჩუკთა სახელმწიფოში, თურქეთსა და აზერბაიჯანში, მეორე მხრივ აღმოსავლეთში — ქაშგარში, ხვარაზმში, სამარყანდში, ბუხარაში და სხვ. თურქ. დამწერლობის დასავლურ ძეგლებს მიეკუთვნება XIII—XVII სს-ში შექმნილი მრავალი თხზულება ძვ. ანატოლიურ-თურქულ (ოსმალურ) და ძვ. აზერბ. ენებზე; ხოლო აღმოსავლურ ძეგლებს — XIV—XVI სს-ში შუა აზიის თურქ. სამწერლობო ენებზე შექმნილი ლიტ. ძეგლები. ერთ-ერთი მათგანის, საკუთრივ ძვ. უზბ. ენის ფუძემდებლად ითვლება XV ს. დიდი პოეტი ალიშერ ნავოი.

პირველმა ცნობამ თურქების შესახებ ევროპაში ჰუნების შემოსევების დროს (IV—V სს.) შეაღწია. თურქებისადმი ინტერესი გაიზარდა XI—XIII სს-ში სელჩუკებთან ბიზანტიისა და ჯვაროსნული ომების დროს. ეს ინტერესი უფრო გაფართოვდა თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობისა (1453) და ევროპაში მათი შეჭრის საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ამ დროიდან მოიპოვება ბერძენი და ბიზანტ. ისტორიკოსების ცნობები მცირე აზიის სელჩუკთა სასულთნოსა და თურქთა სახელმწიფოს შესახებ. XV—XVI სს-ში აღწერეს ოსმ. სახელმწიფო თურქთა ტყვეობიდან დაბრუნებულმა ევროპელებმა (გერმ. ჰ. შილტბერგერი, ფრანგი ბუსიკო, ჩეხი ვრატისლავი და სხვ.). გამოქვეყნდა ევრ. მოგზაურებისა და დიპლომატების ჩანაწერები (ფრანგი ჟ. შესნო, ავსტრ. ო. ბუსბეკი, ჩეხი ვრატისლავი, იტალ. პიეტრო დელა ვალე და სხვ.). XVII—XVIII სს. ევროპაში თურქ. შესწავლა უმთავრესად პრაქტ. მიზნებს ისახავდა — გაერკვიათ ოსმ. სახელმწიფოს პოლიტ. და სამხ. ძლიერების საფუძვლები (ლ. მარსილი, მ. დ'ოსონი, შ. ბელენი და სხვ.). თურქ. ისტ. მეცნ. შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ი. ჰამერ-პურგშტალმა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ევრ. მეცნიერებს (ჰ. გიბონი, ფ. გიზე, ფ. კრელიეი, პ. ვიტეკი, ფ. ბაბინგერი, რ. მანტრანი, რ. მერიმანი, ბ. ლუიისი, ა. იორგა და სხვ.). XIX ს. დასასრ. ბუდაპეშტსა და ჰელსინგფორსში დაინტერესდნენ რუსეთის იმპერიაში მოსახლე თურქ. მოდგმის ხალხების (ჩუვაშები, თათრები, ბაშკირები) შესწავლით.

XIX—XX სს-ში ფართო თურქოლოგიური კვლევა-ძიება გაიშალა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, უნგრეთში, აშშ-ში, იაპონიასა და სხვ. (ვ. თომსენი, ჟ. დენი, ვ. ბანგი, დ. ნემეთი, კ. შირატორი, ნ. პოპე, ა. ფონ გაბენი, ჯ. კლოსონი, კ. გრინბეხი, კ. მენგესი და სხვ.).

თურქ. ისტ. კვლევა საკუთრივ თურქეთში მხოლოდ XX ს. დამდეგს ეწყო სტამბოლის უნ-ტში. 1910 დაარსდა „ოსმალეთის ისტორიის საზოგადოებაა", სადაც თურქ. ისტ. შესწავლასთან ერთად (ა. რეფიკი, მ. ქოფრულუ) მუშაობა გააშალა თ-ის ფართო პრობლემებზე (ისტორია, ლიტ-რა, კულტურა). თურქ. ენის პირველი გრამატიკა დაწერა თურქმა ავტორმა ბერგამალი კადრიმ XVI ს-ში. თურქ. ენის სწავლება თურქ. სკოლებში მხოლოდ 1839 შემოიღეს. თანამედროვე თურქეთში თ-ის ცენტრებია „თურქეთის საისტორიო საზოგადოება" (დაარსდა 1931); „თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოება" ((დააარსდა 1932), სტამბოლისა და ანკარის უნ-ტები. თურქ. ისტ. შესწავლასთან ერთად მიმდინარეობს სხვადასხვა ხასიათის თურქ. წყაროების პუბლიკაცია (ი. უზუნჩარშილი, ო. ბარქანი, თ. გოქბილგინი, ჰ. ინნალჯიქი, ე. კარალი, ა. კურატი, მ. სერთოიოლლუ და სხვ.).

ევრ. სოციალ. ქვეყნებში (ბულგარეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, იუგოსლავია) თ.

ტრადიციულად ვითარდება ისტ.-ფილოლ. სფეროებში. ინტენსიურად იბეჭდება ამ ქვეყნების შესახებ თურქ. წერილობითი წყაროები და სხვ. (დ. ნემეთი, ლ. ფეკეტე, ზ. აბრაჰამოვიჩი, ბ. ნედკოვი, ნ. ტოდოროვი, ბ. ცვეტკოვა, ვ. მუტაფჩიევა, ს. დიმიტროვი, ხ. ხაჯიბეგიჩი, ჰ. შაბანოვიჩი, ბ. ჯურჯევი, ნ. ფილიპოვიჩი, ი. კაბრდა, ზ. ვესელა, ვ. კოფჩანი და სხვ.).

რ უ ს ე თ შ ი თ. ჩაისახა XVIII ს. II ნახევარში. მაშინ იგი კომპლექსური მეცნიერება იყო და სწავლობდა ენებს, ლიტ-რას, ისტორიას და სხვ.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ ე რ ი ო დ ი ს თ. ინარჩუნებს წარსულის მოწინავე ტრადიციებს, ამავე დროს არსებითად განსხვავდება რევოლუციამდელი თ-გან. ახ. თ-ის შექმნაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ვ. რადლოვს, ა. სამოილოვიჩს, ს. მალოვს, ვ. გორდლევსკის, ნ. დმიტრიევს, ა. კონონოვს, ნ. ბასკაკოვს, ე. სევორთიანს და სხვ. თურქ. ისტ. შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება აქვთ რუს. და საბჭ. მეცნიერებს (ვ. ბარტოლდი, ვ. გორდლევსკი, ა. მილერი, ა. ტვერიტინოვა, ა. ნოვიჩევი და სხვ.). სსრკ-ში თურქოლოგიური პრობლემები მუშავდება მეცნ. აკად. ინ-ტებსა და განყ-ებებში. საბჭ. აღმოსავლეთის მრავალ უნ-ტში ამზადებენ სპეციალისტ თურქოლოგებს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს თ. ჩაისახა თბილ. უნ-ტის დაარსების შემდეგ. ქართ. თ-ს საფუძველი ჩაუყარა აკად. ს. ჯიქიამ. თურქოლოგიური კვლევა მიმდინარეობს თსუ-ში, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტში, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინ-ტში. ეს კვლევა-ძიება მოიცავს საქართველოსა და მისი მეზობელი თურქულენოვანი ხალხების ენობრივი, კულტ. და ლიტ. ურთიერთობის, თურქეთის ისტორიის სოც.-ეკონ. და პოლიტ. საკითხებს. აღსანიშნავია ის მიღწევები, რ-ებიც მოპოვებულია თურქ., აზერბ. და უზბ. ენებისა და მათი დიალექტების შესწავლაში. ჩვენში ფართოდაა გაშლილი მთარგმნელობითი მუშაობა. სპეციალისტების მიერ ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებულია თურქი, აზერბ., უზბეკი და სხვ. მწერლების ნაწარმოებები, თურქ., აზერბ., უზბ. ხალხ. ზღაპრები. დიდი ყურადღება ექცევა თურქ. ძეგლების პუბლიკაციას. გამოქვეყნებულია ბევრი მნიშვნელოვანი თურქ. საარქივო დოკუმენტი. ქართულ ენაზე ითარგმნა თურქ. წყაროები (ნაიმა, ფეჩევი, სელანიკი, ევლია ჩელები და სხვ.), რ-ებიც საყურადღებო ცნობებს შეიცავენ საქართვ. შესახებ. გამოქვეყნდა შრომები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე და სხვ.

ლიტ.: ბ ო ს ტ ა შ ვ ი ლ ი ნ., თურქეთის ბიბლიოგრაფია (ისტორია), თბ., 1971; გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., თანამედროვე აღმოსავლეთმცოდნეობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში (ომის დროს და ომის შემდეგ), «მიმოხილველი», 1949, [ტ.] 1; ჯ ი ქ ი ა ს., «თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე, «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1978, №1; Б а р т о л ь д В. В., История изучения Востока в Европе и России, Л., 1925; მ ი ს ი ვ ე, Работы по истории и филологии тюркских и монгольских народов, Соч., т. 5, М., 1968; Д ж и к и я С. С., Развитие тюркологии в Грузии, «Советская тюркология», 1977, № 6; К о н о н о в А. Н., История изучения тюркских языков в России. Дооктябрьский период, Л., 1972; მ ი ს ი ვ ე, Тюркская филология вв СССР. 1917—1967, М., 1968; С в а н и д з е М. Х., Изучение в Грузии истории Турции за 30 лет (1945—1975), Тюркологический сборник, Л., 1978.

მ. სვანიძე. ნ. ჯანაშია

თურქული, მწვავე, გადამდები ვირუსული დაავადება, რ-იც ემართება მსხვ. რქ. საქონელს, ღორს, ცხვარს, თხას, აქლემსა და გარეულ წყვილჩლიქოსან ცხოველებს. იშვიათად ფრინველს, ცხენს, კატას და ძაღლს. შეიძლება დაემართოს ადამიანსაც, განსაკუთრებით ბავშვებს. ხშირად დაავადება ცხოველთა დიდ რაოდენობას მოედება, ზოგჯერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. იღუპება დიდძალი პირუტყვი (განსაკუთრებით მოზარდეულში ავთვისებიანი თ-ის დროს) და მნიშვნელოვანი ზარალი მოსდევს. თ-ს იწვევს ფილტრში გამავალი ვირუსი. არსებობს ამ ვირუსის 7 ტიპი და რ0-ზე მეტი ვარიანტი, რ-ებიც ერთმანეთისაგან იმუნოლოგიური თვისებებით განსხვავდებიან. დაავადება მიმდინარეობს სპორადულად ან ეპიზოოტიის სახით. მასობრივი ვაქცინაციის შემოღების (1956) შემდეგ თ-ს პანზოოტიური მიმდინარეობა არ ჰქონია. XX ს. 70-იან წლებში საქართველოში, ისე როგორც ევრ. ბევრ ქვეყანაში, დაავადება მსუბუქად მიმდინარეობდა. ტიპური გენერალიზებული თ. იშვიათად გვხვდება, ხოლო ავთვისებიანი თ. 1958-იდან აღარ გამეორებულა. აღმძვრელის ძირითადი წყაროა დაავადებული და ვირუსმტარებელი ცხოველი; დასენიანება ხდება აგრეთვე საკვებით, ცხოველთა მოსავლელი ინვენტარით, რძით, ხორცით და ცხოველური ნედლეულით. თ-ით დაავადებულ ცხოველებს პირის ღრუში, ტუჩების, ნესტოების და ღრძილების ლორწოვანზე უჩნდებათ აფთები, ტემპ-რა აღწევს 41°C და უფრო მეტსაც, ეკარგებათ მადა, მცოხნავები აღარ იცოხნებიან. შემდგომში აფთები ჩნდება ჩლიქთაშუა არეებში (იწვევს კოჭლობას) და ცურზე (უფრო მოგვიანებით). თუ დაავადება გაურთულებლად მიმდინარეობს, ცხოველები გამოჯანმრთელდება 10—14 დღეში. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: სიმპტომური საშუალებები, იმუნოლაქტონის რეკონვალესცენტთა შრატის, ციტრირებული სისხლის გამოყენება და სხვ. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ი ს ა და ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი: მკაცრი კარანტინი, დეზინფექცია, თ-ის გავრცელების ზონაში ცხოველთა იძულებითი და პროფილაქტიკური აცრები.

ს. ბერულავა.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს თ ურ ქ უ ლ ი. ადამიანი თ-ით ავადდება თ-ის ვირუსით ინფიცირებული უმი რძის და მისი პროდუქტების მიღების შედეგად ან დაავადებული ცხოველის მოვლისას (ადამიანს ადამიანისაგან თ. არ გადაეცემა). ინკუბაციური პერიოდი 3—8 დღე გრძელდება. დაავადება იწყება შემცივნებით, თავის, წელისა და სახსრების ტკივილით, ტემპ-რა 38°C-მდე მატულობს. 2—3 დღის შემდეგ პირის, ენის, ხახის, ლოყებისა და ტუჩების ლორწოვან გარსზე ჩნდება სეროზული სითხით ამოვსებული აფთები, რ-ებიც მალე სკდება და მტკივნეულ წყლულებს ტოვებს. პირის ღრუ გაწითლებული და შესივებულია, ავადმყოფს უჭირს ღეჭვა, ყლაპვა და ლაპარაკი, ნერწყვის დენა გაძლიერებულია. თ-ის მსუბუქი ფორმით დაავადებული 10—15 დღეში გამოჯანმრთელდება და მდგრად იმუნიტეტს იძენს. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა სიმპტომურია.

თურქული ენა, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. ბერძნულთან ერთად სახელმწ. ენაა აგრეთვე კვიპროსის რესპუბლიკისა. ენობრივ მონაცემთა სიახლოვის მიხედვით თ. ე. აზერბაიჯანულთან, თურქმენულთან და გაგაუზურთან ერთად განეკუთვნება თურქ. ენათა ოჯახის ოღუზურ ან სამხრ. ჯგუფს. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებამდე (1923) თ. ე-ს ო ს მ ა ლ უ რ ი ც ერქვა. ახლა ოსმალურის (თურქ. ოსმანლიჯა) სახელით აღინიშნება ძვ. ოსმალთა იმპერიის სახელმწ. ენა. სხვა მრავალრიცხოვან თურქ. ენებიდან გამოსარჩევად ამჟამად თ. ე-ს ა ნ ა ტ ო ლ ი უ რ თ ი ( ) ( ) ( )



თურლაის ოლქი. თოვლშეკავება საბჭოთა მეურნეობა „დალნის“ მინდერებზე. ესილის რაიონი.

თურლაის ოლქი. პურის აღება. კოლმეურნეობა „ზნამია ტრუდა“. ესილის რაიონი.

მასალით. თ. ე-თვის დამახასიათებელია ხმოვანთა პარმონია. ტიპოლოგიური მოდელი აგლუტინაციურია. გრამატ. მნიშვნელობა გადმოიცემა აფიქსაციით, რედუპლიკაციით, თხზვით, დამხმარე სიტყვებით, სიტყვათა წყობით, ინტონაციით და სხვ. წინადადება ნომინატური კონსტრუქციისაა. მსაზღვრელი პრეპოზიციურია საზღვრულისადმი. შეინიშნება ფონეტ. და მორფოლ. ინტერფერენციის შემთხვევები. ჭარბადაა ნასესხები სიტყვები მეზობელ ხალხთა ენებიდან.

ლიტ.: Баскаков Н. А., Тюркские языки, წგნ.: Языки народов СССР, т. 2, М., 1966 (ბიბლიოგრ.); Philologiae Turcicae fundamenta, v.1, Wiesbaden, 1959.

ი. შერვაშიძე.

თურლაი, მდინარე ყაზ. სსრ თურლაისა და აქტიუბინსკის ოლქებში. სიგრძე 825 *კმ*, აუზის ფართ. 157 ათ. *კმ*². წარმოიქმნება მდ-ების ჟალდამისა და ყარათურლაის შეერთებით, რ-ებსაც სათავე აქვთ ყაზ. წვრილგორაკების დას. ნაწილში. თ. ქვემოთში გაივლის თურლაის ხეობას და იკარგება შალყართენგიზის გაუდინარ ღრმულში. საზრდოობს ძირითადად თოვლის წყლით. ზაფხულში ქვემო დინებაში წყალი მლაშდება. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა აპრილშია.

თურლაის ოლქი, შედის ყაზ. სსრ-ში. შეიქმნა 1970 წ. 23 ნოემბერს. მდებარეობს რესპ. ჩრდ. ნაწილში, მდ-ების იშიმისა და თურლაის აუზში. ფართ. 111,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 268 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 31%. ცენტრი — ქ. არკალიკი. ოლქის უმეტესი ნაწილი *თურლაის პლატოს* და *თურლაის ხეობას* უკავია (უმაღლესი წერტილი 478 *მ*). დიდი მდინარეა იშიმი. ოლქის ეკონომიკაში მთავარია მიწათმოქმედება და სახორცე-სამატყლე მეცხოველეობა. მრეწვ. ძირითადი დარგებია: სამთამადნო (ბოქსიტებისა და ცეცხლგამძლე თიხების მოპოვება და პირველადი გადამუშავება), საშენ მასალათა წარმოება, კვების (საფქვავი, ერბო-კარაქის, ხორცის) და მსუბუქი (შალის პირველადი გადამუშავება) მრეწველობა. განვითარებულია სოფ. მეურნ.: მარცვლეულის ნათესები (ხორბალი, ფეტვი, ქერი და სხვ.), მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ცხვარი და თხა, ღორი, აქლემი, ცხენი, ფრინველი). მისდევენ ნადირობას. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1973).

თურლაის პლატო, თურლაის მაგიდა მხარე, პლატოსებური ამაღლება ყაზ. სსრ ჩრდ.-დას. ნაწილში. სამხრ. ურალის და მუღოჯარის მთებს (დას.) და ყაზახეთის წვრილგორაკებს (აღმ.) შორის. გადაჭიმულია მერიდიანულად 630 *კმ*-ზე, სიგანე დაახლ. 300 *კმ*, სიმაღლე 200—300 *მ*-მდე. თ. პ-ს ღერძულ ნაწილს გასდევს *თურლაის ხეობა*. თ. პ. ტექტონიკურად ეპიჰერცინულ ბაქანს წარმოადგენს. ზედაპირი აგებულია პალეოგენური ზღვიური და ნეოგენური კონტინენტური ნალექებით. თ. პ-ს ჩრდ. ნაწილი სუსტადაა დანაწევრებული, სამხრ. ნაწილი ღარტაფებით, ხრამებითა და ხევებით დანაწევრებულია მაგიდა მთებად. ხევების ძირზე მლაშე ტბებია. ჰავა მშრალი და მკვეთრად კონტინენტურია. იცის ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჩრდ. ნაწილი სტეპის ზონაშია, სადაც სამხრეთის შავმიწები და მუქი წაბლა ნიადაგებია განვითარებული; სამხრ. ნაწილი — ნახევარუდაბნოს ზონაში. თ. პ-ს საზღვრებშია მაგნეტიტური რკინის მადნის, მურა რკინაქვის, ბოქსიტებისა და სხვა წიაღისეულის დიდი საბადოები.

თურლაის ფაუნა, ინდრიკოთერიუმის ფაუნა, ოლიგოცენური ეპოქის, უპირატესად ხმელეთის ძუძუმწოვრების კომპლექსი ცენტრ. აზიის ტერიტორიაზე. სახელწ. წარმოდგება თურლაის ღარტაფისაგან, სადაც ა. *ბორისიაკის* მიერ პირველად იქნა აღწერილი ამ კომპლექსის ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენელი გიგანტური მარტორქა — *ინდრიკოთერიუმი*. თ. ფ-ის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ალაცეროპსი, ხალიკოთერიუმები (სქიზოთერიუმი), ღორისნაირნი (ენტელოდონი, ანთრაკოთერიუმები), არქაული ტრაგულიდები (ლოფიომერიქსი, პროდრემოთერიუმი) და სხვ. თ. ფ-ის წარმომადგენლები ბინადრობდნენ როგორც გაშლილ ველებზე, ისე ტყეებისა და მდ-ების დაჭაობებულ სანაპიროებზე.

ლ. გაბუნია.

თურლაის ფლორა, პალეოგენური ზომიერად თბილი ფართოფოთლოვანი ფოთოლმცვივანი მცენარეები, რ-ებიც გავრცელებული იყო ჩრდ. აზიაში, ევროპაში და ჩრდ. ამერიკაში. სახელწ. წარმოდგება თურლაის ღარტაფისაგან (ყაზახეთი), სადაც 1929 საბჭ. პალეობოტანიკოსმა ა. კრიშტოფოვიჩმა ოლიგოცენურ ნალექებში აღწერა ამ ფლორისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მცენარეული კომპლექსის ნაშთები: ჭაობის კვიპაროზი, მეტასეკვოია, ალვის ხე, წაბლი, წიფელი, თელა, არეის ხე, მურყანი, ძელქვა, კომპტონია, თხილი, კაკლის ხე, ნეკერჩხალი, კორპის ხე და სხვ. თ. ფ. თანდათან გავრცელდა აზიიდან ევროპაში და გააფართოვა თავისი არეალი იმ დროისათვის ევროპაში გაბატონებული პოლტავური ფლორის ხარჯზე, მიოცენ-პლიოცენში შესცვალა იგი, თუმცა შეინარჩუნა ამ ფლორის ზოგიერთი ელემენტი. თ. ფ-ის ცალკეული წარმომადგენელი (წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი და სხვ.) ღელმდე შემორჩა, როგორც ევროპის ისევე კავკ. ფლორას. თ. ფ-ის თანამედროვე ანალოგია ჩრდ. ჩინეთის, იაპონიისა და ჩრდ. ამერიკის დას. სანაპიროს ფართოფოთლოვანი ტყეების ფლორა.

კ. ჩოჩიევა.

თურლაის ხეობა, დაბალი (126—160 *მ*), ბრტყელფსკერიანი ეროზიულ-ტექტონიკური ღარტაფი ყაზ. სსრ დას. ნაწილში. გადაჭიმულია 800 *კმ*-ზე, სიგანე 20—75 *კმ*. ჩრდ-იდან სამხრ-კენ კვეთს *თურლაის პლატოს* და აერთებს დას. ციმბირის ვაკეს და თურანის დაბლობის ჩრდ. ნაწილს. თ. ხ. შეესაბამება თურლაის როფს ღერძულ ნაწილს და აგებულია ძვ. ალუვიური და ტბიურ-ალუვიური თიხნარით. თ. ხ-ში ჩრდ. მიმართულებით მიედინება მდ. უბაგანი, სამხრ-ით — მდ. *თურლაი*. არის უამრავი წყალმარჩხი ტბა (ბევრი ნათგანი მლაშეა). სტეპურ (ჩრდ.) და ნახევარუდაბნოს (სამხრ.) ლანდშაფტების ფონზე თ. ხ-ში განვითარებულია ბიცობ-მლაშობი, ბიცობ-მდელო-სტეპისა და სტეპის კომპლექსები. არის საძოვრები და სათიბები.

თუტმოსი (სიტყვასიტყვით — *თოტის* მიერ შობილი), ძვ. ეგვიპტის ახალი სამეფოს დროინდელი XVIII დინასტიის ფარაონთა სახელი. **თ. I,** მეფობდა ძვ. წ. 1559/1524—1538/1505 (ვინაობა უცნობია), ტახტზე ავიდა ცოლის წარმოშობის წყალობით, რ-იც ფარაონთა ჩამომავალი იყო. თ. I-მა განაგრძო თავისი წინამორბედის ამენჰოტეპ I-ის აქტიური საგარეო პოლიტიკა, საბოლოოდ დაიპყრო ნუბია, დაიმორჩილა სირია და ქვეყნის საზღვრები მდ. ევფრატამდე გააფართოვა. მისი მეფობის ბოლო წლებში დაიწყო არეულობა, ტახტს ეცილებოდნენ ერთმანეთს თ. I-ის ასული *ჰატშეფსუტი* (მამის თანამმართველი), თ. II (ჰატშეფსუტის ნახევარი ძმა და მეუღლე) და თ. III.

თ. II, მეფობდა ძვ. წ. 1525/1505 — 1523/1502, თ. I-ის, ჰატშეფსუტისა და თ. III-ის თანამმართველი. ილაშქრა ნუბიასა და აზიაში.



თ. III, ფარაონი ძვ. წ. 1525/1502—1473/1448, ერთი ვერსიით — თ. II-ის ძე, უფრო კავრცელებული ვერსიით — თ I-ის ძე ხარჭისაგან. 1503/1480-მდე ეგვიპტეს ჰატშეფსუტი მართავდა. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მკაცრად მოექცა მის ხსოვნას და თითქმის ყველგან გაანადგურა ჰატშეფსუტის სახელი. თ. III-მ გამეფებისთანავე ჩაახშო აჯანყება აზიაში, დაიპყრო სირია და პალესტინა, აიღო მეგიდო, კადეში და ქარხემიში; შემდეგ განახორციელა დაპყრობილ ტერიტორიათა მმართველობის რეორგანიზაცია, დაუქვემდებარა „ჩრდილოეთის ქვეყნების გუბერნატორის" განმგებლობას. შექმნა ძლიერი ფლოტი. დაამარცხა მითანის მეფე და ხეთებს ხარკი დაადო. მის დროს ეგვიპტის სამხრ. საზღვარმა ნილოსის მე-4 ჭორომებს მიაღწია. თ. III-მ თავისი ძალაუფლება ხმელთაშუა ზღვის აღმ. სანაპიროზეც განავრცო. მისი მეფობის დროს ეგვიპტემ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია. აიგო ტაძრები, ქალაქები, გამოაცოცხლა დელტა. ენერგიული მმართველი, მამაცი მეომარი, მხატვარი და თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება იყო. მისი სიკვდილის შემდეგაც კი მის სახელს ჯადოსნური ძალა ჰქონდა და ავგაროზებზე გამოსახავდნენ როგორც მაგიურ სიტყვას. თ. III-ის ობელისკები დგას ლონდონში და ნიუ-იორკის ცენტრ. პარკში.

თ. IV, მეფობდა ძვ. წ. 1465/1420—1455/1411, ამენჰოტეპ II-ის ძე. იბრძოდა აზიასა და ნუბიაში. ლეგენდის მიხედვით თ. IV-ს ქვიშისაგან გაუწმენდია გიზის დიდი სფინქსი. *ლ. შენგელია.*

თუტმოსი (ძვ. წ. XIV ს.). ეგვიპტელი მოქანდაკე. მოქანდაკეთა ხელმძღვანელი ფარაონ ამენჰოტეპ IV-ის კარზე. ამენჰოტეპ IV-ის, დედოფალ ნეფერტიტისა და სხვ. სკულპტურული პორტრეტების ავტორი. თ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმათა დახვეწილი მოდელირება, ცოცხალი და მეტყველი სახეები.

თუქაი ლაბდულა (ნამდვ. სახელი და გვარი ლაბდულა მუჰამედლარიბის ძე თ უ ქ ა ე ვ ი) [14 (26). IV. 1886, სოფ. კუშლაუში, ახლანდ. არსკის რ-ნი, თათრ. ასსრ, — 2 (15). IV. 1913, ყაზანი], თათარი სახალხო პოეტი, პუბლიცისტი. ახ. რეალისტური თათრ. ლიტ-რისა და სალიტ. ენის ფუძემდებელი. ადრე დაობლდა. 1895-იდან სწავლობდა ურალსკის მუთიგის მედრესეში, რუს. კლასში. 1905-იდან მუშაობდა ასოთამწყობად, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. ლექსების წერა 1902-იდან დაიწყო. მისი ადრინდ. შემოქმედება, რამდენადმე რელიგ.-რეფორმატორული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ შემდგომ თ-ს შემოქმედების მთავარი თემა ხალხის თავისუფლებისათვის რევ. ბრძოლა გახდა („თავისუფლების შესახებ", 1905; „პარაზიტებს", 1906; „სახელმწიფო სათათბირო", 1906); იცავდა ქალის ინტერესებს (ლექსები: „თათარ ქალიშვილებს", 1906; „ქალთა თავისუფლება", 1909 და სხვ.). თ. თათრულ ლიტ-რაში სატირის, რევ. ლირიკისა და პოლიტ. პოეზიის ფუძემდებელია. შექმნა მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა რეალისტური სახეები (ლექსები „ფაბრიკაში", 1910; „შემოდგომის ქარები", 1911 და სხვ..), წერდა ბავშვებისთვისაც. საფუძველი ჩაუყარა თათრ. რეალისტურ კრიტიკას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სსრკ ხალხთა მრავალ ენაზე.

ლიტ.: Агишев Я., Творчество Габдулы Тукая, Каз., 1948.

თული, ცხენის ძუა ან ტიბეტური ხარის—იაკის კკუდი, თურქთა ძვ. ტოტემური ემბლემა. მთოქრული სპილენძის ან ძვლის ბურთუელით დაბოლოებულ ხის გრძელ ტარზე მიბამული ცხენის ძუა. თ. ოსმ. სახელმწიფოს დიდ მოხელეთა უფლებამოსილებისა და სამხ. წოდების ნიშანი იყო. ზოგჯერ თ. თავსაბურებზეც ჰქონდათ დამაგრებული. თ-ის სინონიმებია ბუნჩუკი, კუტასი, სურლუჯი. *ბ. სილაგაძე.*

თულრა, მონეტებსა და საბუთებზე აღბეჭდილი კალიგრაფიულად გაფორმებული სულთნის სახელი. პირველად გვხვდება სელჩუკი ემირის ისჰაკ იბნ ილიასის (1374—90) საბუთებზე. თ-ს იყენებდნენ აგრეთვე ყირიმის ხანები, ირანელები, ავღანელები და სხვ. თ. აღბეჭდილია თბილისში XVIII ს. მოჭრილ თურქ. მონეტებზეც (აშრაფი, ონლიქი, ბეშლიქი, ნიმბეშლიქი).

ლიტ.: Schrötter V., Wörterbuch der Münzkunde, B.—Lpz., 1930.

ი. ჯალაღანია.

თუშები, იხ. *ქართველები.*

თუშეთი, მხარე აღმ. საქართველოს მთიანეთში. მოიცავს თუშეთისა და პირიქითა ალაზნის ხეობებს (მდ. ანდის ყოისუს სათაეებს, ახმეტის რ-ნი). შედგება 4 ისტ. თემისაგან: წოვა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი თ. (ადრინდ. ფარსმანის თუშეთი). IV ს-ში თ. გაქრისტიანების წინააღმდეგ მებრძოლი წარმართი მთიელების თავშესაფარი იყო. V ს-იდან აღმოსავლურ-ქართ. სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა. VIII ს-ში თ. ღუნძეთთან და წუქეთთან ერთად ქმნიდა ერთ ადმ. ერთეულს. კახეთის ძვ. სამეფოს არსებობის დროს (VIII—XI სს.) პანკისის საერისთავოში შედიოდა, შემდგომში — კახეთის საერისთავოში. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ, XVI—XVIII სს-ში თ-ის სამოურავო კახეთის სამეფოს ფარგლებში მოექცა. თ-ის უმაღლესი სას. ხელისუფალი ალავერდის ეპისკოპოსი იყო. XVII ს. II ნახევარში თ. წარმოადგენდა მეფე ერეკლე I-ის საყრდენს ტახტისათვის ბრძოლაში. XIX ს. დამდეგიდან დაიწყო თუშთა ჩასახლების პროცესი კახეთში, ალვანის ველზე, სადაც უძველესი დროიდან მათი საზამთრო საძოვრები იყო.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა, საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., თუშეთი, ტფ., 1933. *დ. მუსხელიშვილი.*

თუშეთის ალაზანი, მდინარე კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, თუშეთის ქვაბულში, მდ. ანდის ყოისუს ერთ-ერთი მდგენელი. იწყება აწუნთის ქედის აღმ. კალთაზე. სიგრძე 59 *კმ*, აუზის ფართ. 825 *კმ*². საზრდოობს თოვლის, მყინვარული, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა — შემოდგომა-ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 24 *მ*³/*წმ*. თ. ა-ის მთავარი შენაკადებია: პირიქითი ალაზანი, წოვათისწყალი (მარცხ.), ორწყალი და ჭანჭახოვანისწყალი (მარჯვ.). *თ. კიკილაშვილი.*

თუშეთის ქედი, იხ. *პირიქითი ქედი.*

თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონი, საქართველოს კავკასიონის მონაკვეთი, მდებარეობს კავკასიონის ჩრდ. კალთაზე და მოიცავს მდ-ების ანდის ყოისუს (თუშეთის ალაზნისა და პირიქითი ალაზნის), არღუნის, ასისა და არხოტისწყლის ზემო დინებათა აუზებს. სამხრ. საზღვარი გასდევს მთავარი ქედის თხემს მწვ. შავკლდის და ულელტ. არხოტისთავისულელეს შორის. დას. — კიდეგანის ქედს, აღმ.—შავგალავნის ქედსა და საბაკუნისხევისა და ვესტმოვაკისხევის (ანდის ყოისუს მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფს, ჩრდ. — პირიქითი ქედის თხემს მწვ. დიკლოსმთიდან მწვ. ტებულოსმთამდე, შემდეგ კვეთს მდ. არღუნის ხეობას და ადის ხევსურეთის ქედზე მწვ. თბილწყალმაღლის ჩრდ-ით, აქედან კი კვეთს ასის ხეობას და აიმართება კიდეგანის ქედზე. თ-ხ. კ. აგებულია ქვედა შუაიურული ასაკის თიხაფიქლოვანი წყებებით, რ-იც აჩენს ძლიერ შეკუმშულ, ზოგან დიაბაზებით გარღვეულ, ნაოჭების სისტემას, გვხვდება აგრეთვე მორენული და ალუვიური ნაფენები. ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია: მთავარი წყალგამყოფი ქედი (მწვ-ები არხოტი—3172 *მ*, დიდი ბორბალო — 3294 *მ*, ბულანჩოს-წვერი — 3256 *მ* და სხვ.), რ-ის ულელტეხილები ზ. დ. 3000 *მ*-ზე დაბლა მდებარეობს (არხოტი — 2935 *მ*, აბანო — 2950 *მ* და სხვ.); მარად თოვლიან-მყინვარებიანი კიდეგანის, ხევსურეთისა და პირიქითის ქედები მრავალი განშტოებებით; თუშეთის ქვაბული და მდინარეთა ხეობები (ასის, არღუნის, ანდაქის). თ.-ხ. კ-ის მთა-ხეობათა რელიეფის მორფოლოგიური ხასიათი ჩამოყალიბებულია ეროზიის მოქმედებით. თხემურ ზოლში შექმნილია რელიეფის გლაციალური ფორმები. თ.-ხ. კ. მდებარეობს ზომიერ ნოტიო ჰავის ოლქში და ახასიათებს ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა. დაწყებული ცივზამთრიანი და ხანგრძლივ გრილზაფხულიანი ჰავიდან (დაბალ მთებში) დამთავრებული მაღალმთის მუდმივთოვლიან-მყინვარებიანი ჰავით (ქედების თხემებზე). იანვ. საშ. ტემპ-რა —5-იდან —10°C-მდეა, ივლ. 12—16°C. წელიწადში 600-იდან 1500 *მმ*-მდე ნალექი მოდის. ხეობებსა და ქვაბულებში ჰავა შედარებით მშრალი, კონტინენტურია. თ.-ხ. კ-ის მდინარეები ასა, არხოტისწყალი, არღუნი, ანდაქი, პირიქითი ალაზანი და თუშეთის ალაზანი მრავალრიცხოვანი შენაკადებით კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება და საზრდოობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში, წყალმცირობა — ზამთარში. თავისებურია თ.-ხ. კ-ის ნიადაგ-მცენარეულობა: ქვედა ზონაში მცირე და საშ. სისქის ყომრალ და ღია ყომრალ ნიადაგებზე, ზ. დ. 2300—2500 *მ*-მდე, გავრცელებულია არყნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი. 2500—2700 *მ* ზემოთ მთის მდელოს კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე — სუბალპ. მდელოები და ბუჩქნარები, ხოლო უფრო ზემოთ, 3300—3500 *მ*-მდე, მთის მდელოს მცირე სისქის კორდიან ნიადაგებზე ალპ. მდელოებია. თ.-ხ. კ-ზე 3 ტიპის ლანდშაფტია: მთა-ხეობათა რელიეფის ყომრალ და ღია ყომრალ ნიადაგებზე განვითარებული ფიჭვნარი და არყნარ-ფიჭვნარი ტყის ლანდშაფტი; მთა-ხეობათა რელიეფის მთის მდელოს კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე განვითარებული მთა-მდელოს ლანდშაფტი (სუბალპ. და ალპ. ქვეტიპებით) და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი (მაღალი ქედების თხემებზე).

დ. უკლება.

თუში, ჭ უ რ ი ს ურ ე მ ი, დიდი ქვევრების გადასატანი დაბალი ურემი, რ-საც აჩაჩა ურმისაგან განსხვავებით ბორბლების მაგიერ ღერძზე ხის საგორავები ჰქონდა დამაგრებული. შემონახული იყო ზემო იმერეთის ერთ-ერთ მიკრორაიონში (საჩხერის რ-ნი). თ-ს, როგორც შერეული ტიპის სპეც. საზიდ საშუალებას, იყენებდნენ ზემო იმერეთის ხალხურ კერამ. ცენტრებში (შროშა, ბელლევი, ბოსლევი) დიდი სალვინე ქვევრების გადასაზიდად მელვინეობის რ-ნებში.

ლიტ.: გ ე გ ე შ ი ძ ე მ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, [ტ.] 1, თბ., 1956.

გ. ჩაჩაშვილი.

თუფრათა (ძვ. წ. XV ს. დასასრ. — XIV ს. დასაწყ.), მითანის მეფე, „უფალი ხურის ქვეყნისა". ეგვიპტის ფარაონებთან მიმოწერა ჰქონდა ხურიულსა და აქადურ ენებზე. ეგვიპტე-მითანის მეგობრობის დასტურად მან თავისი ასული თადუხეფა ამენჰოტეპ III-ს მიათხოვა. მისი მეფობის პირველ ნახევარში მითანი წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო, მაგრამ ხეთებთან ბრძოლაში დამარცხდა. თ. მოკლა მისმა ვაჟიშვილმა. *გ. გიორგაძე.*

თუფური ქედი, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის ნაბდის თავსაბურავი (კოკორა ქუდის სახელით ნაწილობრივ იმერეთსა და რაჭაშიც გვხვდება). საგანგებოდ შეთელილი შავი ნაბდისაგან მზადდებოდა აჭრილი ან შედგენი-

თუტმოსი. დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტი. ძვ.წ. XIV ს. I მეოთხედი. ეგვიპტის განყოფილება. ბერლინ-დალემი.

ლ. თუქაი.

თუშეთის ალაზანი. გომეწრის ხეობა.



თუშური ცხენი.

ვ. თხაფსაევი.

თუშური ცხვარი.

ლი თარგის მიხედვით. ნაბდის ნაჭერს (შოლტა) სიგანეზე ოთხ თანაბარ ნაწილად გადაკეცავდნენ, დაკეცილს ორივე მხრიდან ირიბად ჩაჭრიდნენ, ნაწიბურებს ამოკერავდნენ და ნაკერზე შავ ყაითანს მოაყოლებდნენ. შეკერილ ჩაჩას კალაპოტზე ჩამოაცვამდნენ და ნაპირებს სამშაგად გადაუკეცავდნენ. ქუდის ცაზე დაკერებული ყაითნის ჯვარედინად გადაკვეთის წერტილზე ყაითანმოვლებულ ნაბდისავე ღილს ლააკერებდნენ. ძვ. ქართვ. მეომრები ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქანის ქვეშ თავზე თ. ძ-ს იხურავდნენ. თ. ძ-ებს ოჯახში დიასახლისები ამზადებდნენ, სახელოსნოებში კი — ხელოსნები. ასეთი სახელოსნოები იყო თელავში, ახმეტაში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, თბილისში და სხვ. ახლა თ. ძ-ებს თელავში უმთავრესად ფაბრიკული ქეჩისაგან ამზადებენ.

ლიტ.: ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართლელი გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX საუკუნისა, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1957, ტ. 19A და 21B; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, [ტ.] 3—4, თბ., 1962.

ლ. მოლოდინი.

თუშური ცხენი, საჯდომ-სასაპალნე ჯიშის ცხენი, გამოყვანილია აღმ. საქართველოს მთაგორიანი ზონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მასობრივი სელექციის გზით. ენდემური, ადგილობრივი ჯიშია. ტანად პატარა, მკვრივი აგებულებისაა, ფერად უმთავრესად ქურანაა. ფაშატის საშ. განაზომია (*სმ*-ობით): სიმაღლე მინდაოში 134, ტანის ირიბი სიგრძე 137, გულმკერდის ირგვლივი 156, ნების ირგვლივი 16,9. თ. C-ს ისტორიულად იყენებდნენ სამხედრო დანიშნულებისათვის და მომთაბარე მეცხოველეობაში. მთაში საჯდომ-სასაპალნე მუშაობისათვის უბადლოა. 1976 საქართველოს კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში თ. C-ის სულადობა 1000-ს არ აღემატებოდა. *დ. კობალავა.*

თუშური ცხვარი, ნახევრად დუმიანი ცხვრის ჯიში. გამოყვანილია აღმ. საქართვ. მომთაბარე მეურნეობის პირობებში მრავალწლიანი ხალხური სელექციით (XIII—XIV სს.) ძვ. ქართული ცხვრების შეჯვარებით სხვა უხეშმატყლიან ჯიშებთან. თ. C. კომპაქტურია. მაგარი კონსტიტუციისაა, იტანს დიდ მანძილზე გადარეკვას, კარგად იკვებება მეჩხერ საძოვრებზე. კვების გაუმჯობესებით მკვეთრად მატულობს მისი მეხორცული და სამატყლე პროდუქტიულობა. ადრე მწიფდება, ნაკლებნაყოფიერია, აქვს მაღალი ხარისხის ხორცი და თეთრი, დრეკადი, ელასტიკური, მბზინავი მატყლი, რ-ისგანაც ქსოვენ უმაღლესი ხარისხის ხალიჩებს. თ. C-ის ცოცხალი მასა: ერკემლისა 56—60 *კგ*, უდიდესი 90 *კგ*-მდე, ნერბისა 41—42 *კგ*, უდიდესი 60 *კგ*-მდე. წელიწადში ორჯერ პარსავენ. ერკემლის ნაპარსია 3—4 *კგ*, უდიდესი 6,5 *კგ*-მდე, ნერბისა 2,5—3 *კგ*, უდიდესი 5,5 *კგ*-მდე. მატყლის კულულის სიგრძეა 11—17 *სმ*, უდიდესი 31 *სმ*.

მ. რჩეულიშვილი.

თუხარისი, ციხესიმაგრე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, უძველესი ქართული პროვინციების *ტაოსა* და *კლარჯეთის* საზღვარზე. ძვ. ქართ. ტრად. თანახმად, თ. საქართვ. უძველესი ციხე-ქალაქთაგანია; დააარსა ქართველთა ერთ-ერთმა ლეგენდარულმა ეთნარქმა — ოძრხოსმა. IV ს-ში თ-სა და კლარჯეთს ბიზანტია დაეუფლა. V ს. II ნახევარში თ. კვლავ ქართლის სამეფოს დაუბრუნდა. შემდგომში იგი „ქართველთა საკურაპალატოში" (ტაო-კლარჯეთის სამთავროში) შედიოდა. IX—XI სს-ში თ. იყო ჯაყელთა საგვარეულოს ცენტრი და ერისთავთა რეზიდენცია. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ სამცხე-საათაბაგოს ერთ-ერთი ცენტრი გახდა. XVI ს-ში საქართვ. სხვა მიწა-წყალთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

დ. მუსხელიშვილი.

თუხტი, იხ. *სტილი.*

თუჯი, რკინის შენადნობი ნახშირბადთან (2%-ზე მეტი C), აგრეთვე სილიციუმთან, მანგანუმთან, ფოსფორთან, გოგირდთან; ცხელ მდგომარეობაში წნევით ძნელი დასამუშავებელია. თ. რკინის მადნის ბრძმედში გადამუშავების შედეგად მიღებული პირველადი პროდუქტია (იხ. *ბრძმედული წარმოება*). დანიშნულების მიხედვით თ. სხვადასხვაგვარია. გ ა დ ა ს ა მ უ შ ა ვ ე ბ ე ლ ს იყენებენ ფოლადის მისაღებად, მაგ., ბ ე ს ე მ ე რ ი ს თ., რ-ისგანაც ფოლადი ბესემერის კონვერტერში მიიღება. კონვერტერის ამონაგისა და წიდის ჩაყავური თვისებების გამო გაქრევის პროცესში, თ-იდან შეუძლებელია ფოსფორისა და გოგირდის მოცილება, ამიტომ ბესემერის თ-ში ამ მავნე მინარევების რაოდენობა მინ. უნდა იყოს (არა უმეტეს 0,07%P და 0,06%S), ასეთი თ. შეიძლება გამოვადნოთ მხოლოდ განსაკუთრებული მცირეფოსფორიანი და მცირეგოგირდიანი მადნებიდან; ს ა მ ს ხ მ ე ლ ო ს იყენებენ მოყვანილი სხმულების წარმოებისათვის, ს პ ე ც ი ა ლ უ რ ს ანუ ბ რ ძ მ ე დ ი ს ფ ე რ ო შ ე ნ ა დ ნ ო ბ ებს (ფერომანგანუმი, ფეროსილიციუმი, სარკისებრი თ. და სხვ.) — ფოლადისა და თუჯის განჟანგვისა და ლეგირებისათვის. თ-ს, რ-ის სტრუქტურაში ნახშირბადი გრაფიტის სახითაა, რ უ ხ ი თ. ეწოდება, ხოლო თუ ცემენტიტის ანუ რკინის კარბიდის (Fe_3C) სახით — თ ე თ რ ი თ., რ-შიც წარმოიქმნება *ცემენტიტისა* და *ფერიტის* ადვილდნობადი ევტექტიკა, რ-საც ლ ე დ ე ბ უ რ ი ტ ი ეწოდება. FeC შენადნობის სტრუქტურაში ლედებურიტის და ცემენტიტის რაოდენობის გაზრდის შედეგად თ. ხდება უფრო თეთრი, სალი და მყიფე, ხოლო გრაფიტის რაოდენობის გადიდებისას რუხი და რბილი. რ უ ხ თ-ს (მაღალსილიციუმიანს) ფოლადთან შედარებით აქვს კარგი სამსხმელო თვისებები (მაღალი თხევადენადობა, მცირე ჩაჯდომა, დნობის დაბალი ტემპ-რა, ხანგრძლივი დაკრისტალების პერიოდი და სხვ.). მას ფართოდ იყენებენ მანქანათმშენებლობაში სხვადასხვა ზომისა და მასის მოყვანილი სხმულების დასამზადებლად. მისი მექან. თვისებები ძირითადად დამოკიდებულია გრაფიტის სტრუქტურაზე, მის მორფოლოგიაზე, შემდეგ კი ლითონური ფუძის სტრუქტურაზე. რუხი თ-ის ლითონური ფუძის სტრუქტურა გრაფიტის ჩანართებით დაზიანებული ფოლადების სტრუქტურის ანალოგიურია. თ-ის ქიმ. შედგენილობის შერჩევით, მცირეოდენი სპეც. ელემენტების (Mn, Mg, Si, Ca, I, Ce და სხვ.) მიმატებით (მოდიფიცირებით) ღებულობენ ლითონის ფუძის და გრაფიტის სასურველ სტრუქტურას, გარკვეული ფორმის (ფირფიტოვანი, ბურთულოვანი) გრაფიტის ჩანართებს. გაჯერებულია ფირფიტოვანი გრაფიტის ჩანართებიანი რუხი თ. და ბურთულოვანი გრაფიტის ჩანართებიანი მაღალი სიმტკიცის რუხი თ. ეს ჩანართები მიიღება Mg, Ca, Ce ან სხვა ელემენტებით მოდიფიცირებით. შედეგად. რუხი თ., ფოლადების მსგავსად, თერმულად ადვილად მუშავდება, მიუხედავად ამისა, მის სხმულებს უმეტესად თერმული დამუშავების გარეშე იყენებენ. მაღალი სიმტკიცის ბურთულოვანი გრაფიტის სტრუქტურის რუხი თ-ოვის დამახასიათებელია მაღალი ანტიფრიქციულობა, რეზონანსული რყევებისა და დაძაბულობების ჩქარი ჩაქრობის (გრაფიტის ჩანართების გამო) და ჭრით კარგი დამუშავებადობა. უნარი, ზედაპირული დეფექტებისადმი (მიკრობზარები, მსხვილი ნაკაწრები და სხვ.) დაბალი მგრძნობიარობა, მაღალი სამსხმელო თვისებები და სხვ. თ ე თ რ თ-ს (მცირესილიციუმიანს) უმთავრესად ფოლადად გადასამუშავებლად იყენებენ. განსაკუთრებული შედგენილობის (C 2,4—2,8%, Si 0,8—1,4%; Mn≤1,0%; S≤0,1%, P≤0,2) თეთრ თ-ს კი ჭედადი თუჯის მიღებად — მანქანათმშენებლობაში. ასეთი თეთრი თ-ის სხმულის დამჟანგველ ანეიტრალურ ატმოსფეროში მოწვის შედეგად ცემენტიტი იშლება ფერიტად და გრაფიტად, რ-ის კრისტალებიც მომრგვალებული ბუდეებისა და ფიფქების ფორმას იღებენ, ასეთ თ-ს ჭედადი თ. ეწოდება. ლითონური ფუძის სტრუქტურის მიხედვით ჭედადი თ. არის ფერიტული, პერლიტური ან ფერიტულ-პერლიტური. ბოლო ხანებში მიიღეს ისეთი თეთრი თ., რ-შიც მომრგვალებული ფორმის ცემენტიტის ჩანართებია. მას აქვს სათანადო სიბლანტე; ამასთან, ანტიფრიქციული და ანტიკოროზიულია. XX ს. 30-იანი წლებიდან სპეც. დანიშნულების შედგენილობას უმატებენ Ni, Cr, Mo, Ti, Al, Si, V, Mn და სხვ.; ამით იცვლება თ-ის სტრუქტურა, მისი შედგენილობა, მორფოლოგია, განლაგება; თ. ხდება მაღალი სიმტკიცისა, იძენს განსაკუთრებულ ფიზ. და ქიმ. თვისებებს (არამაგნიტური, ხეხვა-, მჟავა- და ტუტემედეგი, მხურვალგამძლე, მხურვალმტკიცე და სხვ.). XX ს. 50-იან წლებში დაიწყეს რუხი და მაღალი სიმტკიცის მოდიფიცირებული თ-ის წნევითი დამუშავება (ჭედვა, გლინვა 1000°C-ზე). მისგან ამზადებენ სხვადასხვა დანიშნულებისა და მოყვანილობის პროფილებს. ამჟამად მანქანათმშენებლობასა და მეტალურგიაში გამოყენებული ლითონების 75—80% თ-ის სხმულს შეადგენს (იხ. აგრეთვე *შავი მეტალურგია*).

ლიტ.: თ ა ვ ა ძ ე ფ., მ ე ძ ძ ა რ ი ა შ ვ ი ლ ი მ., ლითონთა და სხვა საკონსტრუქციო მასალათა ტექნოლოგია, თბ., 1970; Б у н и н К. П., М а л и н о ч к а Я. Н., Т а р а н Ю. Н., Основы металлографии чугуна, М., 1969; Т а в а д з е Ф. Н., Работы по серому чугуну, «ს. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინ-ტის შრომები», 1942, ტ. 6.

ფ. თავაძე.

თქმა, საერთო-სახალხო ენის ტერიტორიული სახესხვაობა. თ. *კილოკავზე* მცირე ერთეულია, მოიცავს მომიჯნავე სოფლების ან მოლიანად ერთი რ-ნის მეტყველებას. ცნობილია შიგნიკახური კილოკავის ყ ვ ა რ ლ უ რ ი თ., ქვემოიმერული კილოკავის ვ ა ნ უ რ ი თ. და ა. შ. თ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფონეტ.-გრამატ. და ლექსიკურ-სტილისტიკუ-

რი ნიშნებითა და გამოთქმის თავისებურებებით.

ᲗᲘᲛᲦᲐ, ძვ. ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერა-საგალობლებში მელოდიის წამყვანი ხმის სახელწოდება. დ. მაჩაბლის აზრით, Თ. სიმღერა-გალობას იწყებს და ჰანგს მღერის, დანარჩენი ხმები კი (ზილი, ჯრინი, მაღალი ბანი, ბანი, შემხმობარი, დაბალი ბანი, შემდეგი) მას მისდევს, მისჭახის, უბანებს, უხმობს. იხ. აგრეთვე *ზოქმელი.*

ლიტ.: მ ა ჩ ა ბ ე ლ ი დ., ქართველთა ზნეობა, I. გალობა, «ცისკარი», 1864, № 5; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

გ. ჩხიკვაძე.

ᲗᲘᲛᲦᲣᲚᲔᲑᲐ, ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი უძველესი ჟანრი, უპირატესად რეალისტური მოთხრობა გარდასულ ამბავზე. ზოგჯერ შეთხზული ამბავიც უდევს საფუძვლად. გვხვდება როგორც პროზაული, ისე ლექსის სახით. პროზაული Თ. გადმოცემასა და ლეგენდას უახლოვდება. ქართ. ფოლკლორში Თ-ების დიდი ნაწილი საისტ. ხასიათისაა (ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შოთა რუსთაველის, ერეკლე მეორის, სოლომონ პირველის, სამასი არაგველის, ბახტრიონის აღების და სხვ.). გვხვდება სოც. (მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვნელის, უშგულელების), ეტიოლოგიური (ბაზალეთის ტბის წარმოშობის, ბუსა და ოფოფის გაჩენის) და სხვ. ხასიათის Თ-ებიც. ეპიკური ციკლის Თ-ებში („ამირანიანი", „როსტომიანი", „ტარიელიანი", „ეთერიანი" და სხვ.) ხშირია პროზისა და ლექსის მონაცვლეობა. Თ. გვხვდება თანამედროვე ფოლკლორშიც (მაგ., ლექსი „თქმულება ლენინზე").

გამოც.: [წიგნში] ხალხური სიბრძნე, [ტ.] 3, თბ., 1964; Грузинские народные предания и легенды. Сост., пер., предисл. и прим. Е. Б. Вирсаладзе, М., 1973.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ნ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

ქ. სიხარულიძე.

ᲗᲮᲐ (Capra hircus), წყვილჩლიქოსანი მცოხნავი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახისა. შინაური Თ-ის წინაპარია გარეული Თ-ის ორი სახეობა — *ნაამორი* და რქახრახნილი თხა, აგრეთვე ამომწყდარი C. prisca. Თ. ადვილად ეგუება სხვადასხვა ეკოლ. პირობებს, რის გამოც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაშია მოშენებული. გვარში (Capra) გაერთიანებულია 10-მდე სახეობა, რ-თაგან სსრკ-ში გვხვდება 5, მ. შ. საქართველოში — 3. Თ. ვაჟლეკს რძეს, ხორცს, ბეწვს (მატყლს), თივთიკს. ცოცხლობს 9—10, მაქსიმუმ 17 წელს, სამეურნეო გამოყენების საშ. ვადაა 7—8 წელი. დასაგრილებლად 14—18 თვისას უშვებენ. მაკეობა დაახლ. 5 თვეს გრძელდება. Თ-ის კულტ. ჯიშების უმეტესი ნაწილი მრავალნაყოფიანია. 100 დედა თხა 150—250-მდე თიკანს შობს. საუკეთესო კვებისა და მოვლა-პატრონობის პირობებში შეიძლება წელიწადში ორი დოლი მოგვცეს. მამალი თხის (ბოტის) ცოცხალი მასაა 60—65 *კგ,* მაქს. დაახლ. 100 *კგ,* დედალი თხისა (ნეზვის), შესაბამისად, — 40—60 *კგ*-მდე. პროდუქტიულობის მიხედვით განასხვავებენ სარძეო, სამატყლე, სათივთიკე და უხეშმატყლიანი შერეული პროდუქტის ჯიშის Თ-ებს. სარძეო ჯიშის Თ. წელიწადში 450—550 *კგ* იწველის, საუკეთესო მეურნეობებში 1000 *კგ*-მდე. ძროხის ცხიმიანობაა 3,8—4,5%. Თ-ს დღეში 1—3-ჯერ წველიან. სამატყლე ჯიშის თხის მატყლს ერთგვაროვანი ბოჭკოები აქვს. მამალი Თ-ის ნაპარსია 4—5 *კგ,* დედალი Თ-ისა 3—5 *კგ.* სათივთიკე ჯიშების თივთიკის საშ. გამოსავლიანობაა 0,2—0,5 *კგ.* მაქს. 2 *კგ*-მდე. მოზრდილი Თ-ის ნაკლავი 20—28 *კგ* ხორცს და 4—6 *კგ* ქონს იძლევა. იხ. აგრეთვე *მეთხეობა.*

ᲗᲮᲐᲤᲡᲐᲔᲕᲘ ვლადიმერ ვასილის ძე [დ. 2 (15). VII. 1910, არდონი, ახლანდ. ჩრდ. ოსეთის ასსრ], ოსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1960). სკკპ წევრი 1948-იდან. სწავლობდა ორჯონიკიძის რუს. თეატრთან არსებულ სტუდიაში. 1935-იდან ჩრდ. ოსეთის დრამ. თეატრის მსახიობია. მისი საუკეთესო როლებია: სარმათი (სალამოვის „სარმათი და მისი ვაჟიშვილები"), ძამბოლათი (ჯიმიევის „შავი ნისლი"), ბოროდნიჩი (გოგოლის „რევიზორი"), ეგორ ბულიჩოვი (გორკის „ეგორ ბულიჩოვი და სხვები"), გენერალი მურავიოვი (ჩირსკოვის „გამარჯვებულნი"), ოტელო, ლირი, მაკბეთი (შექსპირის „ოტელო", „მეფე ლირი", „მაკბეთი"). გადაღებულია კინოში („შეასრულა ფატიმას მამობილის როლი რეჟ. ს. დოლიძის ფილმში „ფატიმა", 1959). ჩრდ. ოსეთის ასსრ კ. ხეთაგუროვის სახ. (1965) და რსფსრ კ. სტანისლავსკის სახ. სახელმწიფო (1969) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ვ. თ ხ ა ფ ს ა ე ვ ი ლირის როლში (შექსპირის „მეფე ლირი").

ᲗᲮᲐᲤᲐᲠᲗᲮᲐᲚᲐ (Chamaenerium angustifolium), ბალახოვანი მცენარე ონაგრასებრთა ოჯახისა. აქვს 1,5 *მ*-მდე სიმაღლის ღერო, რ-იც ბოლოვდება მეწამულ-ვარდისფერი მრავალყვავილიანი გრძელი მტევნისებრი ჟკავილედით, ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. გავრცელებულია ევროპაში, მცირე აზიაში, პიმალაიისა და ჩრდ. გრენლანდიაში. იზრდება მთის ზედა და სუბალპ. სარტყლის ტყეებში, მდელოებზე, ტყის პირებსა და ნაკაფ ადგილებში, დაჩრდილულ და ტენიან ხევებში. საქართველოში გვხვდება ყველა მაღალმთიან რ-ნებში. ფესვს ტკბილი გემო აქვს და იჭმება; შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. გაშხმარი ღერო, ფოთოლი და ყვავილი ჩაის სუროგატად იხმარება. ფოთოლი შეიცავს C ვიტამინს. თესლში 40—45% ზეთია. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე. კარგი თაფლოვანი მცენარეა.

ლ. ხინთიბიძე.

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲔᲑᲘ, თხევადკრისტალურ (მეზომორფულ) მდგომარეობაში მყოფი ნივთიერებები ან ნივთიერებათა ხსნარები, რ-თაც ახასიათებთ როგორც სითხეთა თვისებები (მაგ., დენადობა), ისე კრისტალების დამახასიათებელი ნიშნები (მაგ., მექან., ოპტ., ელექტრული, მაგნ. და სხვა თვისებების ანიზოტროპია). კრისტალის ლღობის დროს აღგილი აქვს ფაზურ გადასვლას (მყარი-თხევადი). მრავალ ნივთიერებას, რ-თა მოლეკულებს წაგრძელებული ფორმა აქვს, ახასიათებს საშუალედო ფაზა — თხევადკრისტ. მდგომარეობა, რ-იც არსებობს გარკვეულ ტემპერულ ინტერვალში. ამ ინტერვალის ქვემოთ ნივთიერება კრისტ. მდგომარეობაშია, ზემოთ კი ჩვეულებრივი სითხეა. Თ. კ-ის კლასიკური მაგალითია პ-აზოქსიანიზოლი, რ-იც თხევადკრისტ. მდგომარეობაშია (114—135)°C ინტერვალში:



Თ. კ-ს, რ-ებსაც კრისტალის გალღობით ან სითხის გაცივებით ღებულობენ, თ ე რ მ ო ტ რ ო პ უ ლ ს უწოდებენ. თხევადკრისტ. სტრუქტურა ახასიათებს აგრეთვე ზოგიერთი საღებრის, საპნის, ბიოლ. წარმოშობის ნივთიერების კონცენტრირებულ ხსნარს. ასეთი ტიპის Თ. კ-ს ლ ი ო ტ რ ო პ უ ლ ს უწოდებენ. თხევადკრისტ. მდგომარეობა განპირობებულია მოლეკულების მოწესრიგებული განლაგებით. მოწესრიგებულობის ხარისხისა და ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სმექტიკურ, ნემატიკურ და ქოლესტერულ Თ. კ-ს.

ს მ ე ქ ტ ი კ უ რ ი Თ. კ. ახლოს დგანან მყარ სხეულებთან. მაოში მოლეკულები განლაგებულია ერთმანეთის მიმართ პარალელურად და ტოლ მანძილებზე დამორებულ ფენებად (ნახ. 1). მოლეკულების გრძივი ღერძის მიმართულება ნივთიერების ოპტ. ღერძის მიმართულებას წარმოადგენს. ნ ე მ ა ტ ი კ უ რ Თ. კ-შიც მოლეკულებს ერთი გარკვეული მიმართულება აქვს (ნახ. 2), ოღონდ სმექტიკურისაგან განსხვავებით მოლეკულების სიმძიმის ცენტრები განლაგებულია მოუწესრიგებლად. მოლეკულები თავისუფლად დასრიალებენ ერთმანეთის მიმართ, მაგრამ ისე, რომ მოცემული არის შიგნით ერთმანეთის პარალელურად რჩებიან, ამიტომ ნემატიკური Თ. კ. საკმაოდ დენადია, რაც განაპირობებს მათი მოლეკულების ადვილად მობრუნებას გარე ზემოქმედების (მაგ., ელექტრული ველის) გავლენით. ეს თვისება თავს იჩენს Თ. კ-ის ელექტროოპტ. თვისებებში, რის გამო მათ ფართოდ იყენებენ პრაქტიკაში (მაგ., მაჯის საათების, მიკროკალკულატორების ციფრული ინდიკატორებისათვის). ქ ო ლ ე ს ტ ე რ უ ლ ი Თ. კ. წარმოადგენს ნემატიკური კრისტალების ნაირსახეობას. თითოეულ მოლეკულურ ფენაში მოლეკულები განლაგებულია ერთ პარალელურად, როგორც ნემატიკურში, და ეს მიმართულება ოპტ. ღერძის მიმართულებას წარმოადგენს, ოღონდ ნემატიკურისაგან განსხვავებით თითოეულ შემდგომ ფენაში ოპტ. ღერძის მიმართულება იცვლება ძლიერ მცირე კუთხით წინა ფენის ოპტ. ღერძის მიმართ. ასე რომ ოპტ. ღერძის მიმართულება აღწერს სპირალს (ნახ. 3). ასეთი სპირალური კონფიგურაცია განაპირობებს ქოლესტერული Თ. კ-ის განსაკუთრებულ ოპტ. თვისებებს. მაგ., მათი ოპტ. აქტიურობა რამდენიმე რიგით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ოპტ. აქტიური ნივთიერებებისა. ქოლესტერული Თ. კ-ის სპირალის ბიჯი რამდენიმე რიგით აღემატება მოლეკულების ზომას. როდესაც სპირალის ბიჯის ზომა თანაზომიერია ხილული სხივების ტალღის სიგრძისა, მაშინ ადგილი აქვს ამ სხივების დიფრაქციას და ქოლესტერულ Თ. კ-ს აქვს ფერი, რ-იც იცვლება ტემპ-რის უმნიშვნელო (<0,1°C) ცვლილებისას. ამ ეფექტს იყენებენ მედიცინაში, ტექნიკაში და სხვ.

დიდი მნიშვნელობა აქვს Თ. კ-ს ბიოლოგიაში. ბიოლ. წარმოშობის მრავალ ნივთიერებას აქვს თხევადკრისტ. სტრუქტურა.

ლიტ.: Ч и с т я к о в И. Г., Жидкие кристаллы, М., 1966.

გ. ჭილაია.

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲛᲘᲜᲐ, კალიუმის ან ნატრიუმის სილიკატის წყალხსნარი; იხ. *მინა.*

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘ, ნივთიერებები, რ-ებსაც თხევად მდგომარეობაში *ნახევრად გამტარების* თვისებები აქვთ. მრავალი მყარი ნახევრად გამტარის (Si, Ge და სხვ.) დნობას თან ახლავს ელექტროგამტარობის მკვეთრი ზრდა ლითონებისათვის დამახასიათებელ მნიშვნელობამდე, მაგრამ ზოგიერთი ნახევრად გამტარისათვის (HgSe) დამახასიათებელია დნობისას ელექტროგამტარობის შემცირება ან მცირე ელექტროგამტარობის



თხევადი კრისტალები

ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.



თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა. ნახ. 1. რაკეტამატარებელი „ვოსტოკის" (გდლ-ოკბ, 1954-57) პირველი საფეხურის ჟანგბადნავთიანი 4-კამერიანი თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა რდ-107 [წევა-1 მეგნ (102 ტძ)]: 1 — საჭის წვის კამერები; 2 — მთავარი წვის კამერები; 3 — ძალური ჩარჩო; 4 — აირგენერატორი; 5 — ტურბინაზე დაყენებული თბოგადამცემი; 6 — მჟანგავის ტუმბო; 7 — საწვავის ტუმბო.

შენარჩუნება (Sb_2, Se_3 და სხვ.). თხევად მდგომარეობაში ისინი ინარჩუნებენ ელექტროგამტარობის ტემპ-რული დამოკიდებულების ნახევრადგამტარულ ხასიათს. არსებობს ისეთი Ო. ნ. ბ., რ-ებიც ტემპრის გაზრდისას კარგავენ ნახევრადგამტარულ თვისებებს და იძენენ ლითონურ თვისებებს.

თხევადი სასუქი, მინერალური ნივთიერება, რ-იც ნიადაგში შეაქვთ სითხის სახით. Ო. ს-ებს განეკუთვნება აზოტიანი სასუქები — თხევადი ამიაკი, ამიაკური წყალი, ამიაკატები, შარდოვანისა და ამონიუმის გვარჯილის კონცენტრირებული წყალხსნარები; რთული სასუქები, რ-თა შედგენილობაში სხვადასხვა შეფარდებითაა მცენარის ძირითადი საკვების 2—3 ელემენტი (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი). იხ. აგრეთვე *აზოტიანი სასუქი.*

თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა (ითრძ), თხევადი სარაკეტო საწვავით მომუშავე *რეაქტიული ძრავა.* მისი სქემა დაამუშავა *კ. ციოლკოვსკიმ* (1903). პირველი სამამულო თრძ-ები (საცდელი სარაკეტო ძრავები) ააგეს და გამოცადეს *აირდინამიკურ ლაბორატორიაში* (1930—31). შემდგომ ვ. გლუშკოს, ა. ისაევის, ს. კოსტერგინის და სხვათა ხელმძღვანელობით სსრკ-ში შექმნეს მძლავრი ძრავები [რდ-107 (ნახ. 1), რდ-108, რდ-119, რდ-214 (ნახ. 2) და სხვ.], რ-ებმაც უზრუნველყვეს დედამიწის, მზის, მთვარის, მარსის პირველი ხელოვნური თანამგზავრების, კოსმ. ხომალდების, ყველა გეოფიზ. და სხვა რაკეტის გაფრენა (1949—72).



თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა. ნახ. 2. რაკეტამატარებელ „კოსმოსის" (გდლ-ოკბ, 1952—57) პირველი საფეხურის აზოტმჟავა-ნახშირწყალბადიანი 4-კამერიანი თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა რდ-214 [წევა 725 კნ (74 ტძ)]: 1 — წვის კამერა; 2 — აირგენერატორი; 3 — ტურბინა; 4 — მჟანგავის ტუმბო; 5 — საწვავის ტუმბო.

თრძ მოიცავს საქშენიან წვის კამერას, საწვავის კომპონენტების მისაწოდებელ, რეგულირებისა და ანთების სისტემებსა და დამხმარე აგრეგატებს (თბოგადამცემი, შემრევი და სხვ.). თრძ ავითარებს წევას *მნ*-იდან (მიკრორაკეტული ძრავები) რამდენიმე *მეგნ*-მდე (მაგ., „სატურნ-5" რაკეტის პირველი საფეხურის თრძ ქმნის დაახლ. 7 *მეგნ* წევას); ორკომპონენტიანი საწვავისათვის კუთრი იმპულსი აღწევს 4500 *ნ · წმ/კგ*, სამკომპონენტიანისათვის კი — 5000 *ნ · წმ/კგ*.

თრძ არის ერთჯერადი და მრავალჯერადი ამუშავებისა, ერთ- და მრავალკამერიანი. განასხვავებენ ერთ- და მრავალძრავიან რაკეტულ ძალურ დანადგარებს. თრძ-ში საწვავის მიწოდების სისტემა არის გამოძევებითი ან ტურბოტუმბოსაგრეგატიანი (ტტა) (ნახ. 3). ტტა თრძ 2



თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავა. ნახ. 3. ტურბოტუმბოსაგრეგატიან თხევადსაწვავიან რაკეტულ ძრავაში საწვავის მიწოდების სქემა: 1 — საწვავის ავზები; 2 — ორთქლგენერატორი; 3 — ტურბოტუმბოიანი აგრეგატი; 4 — ფრქვევანები; 5 — წვის კამერა; 6 — საქშენი.

ძირითადი სქემისაა: ერთში ხდება გენერატორის აირის კმაწვა, მეორეში კი — არა.

დანიშნულების მიხედვით თრძ არის ძირითადი (სამარშო), მაკორექტირებელი, სამუხრუჭო, საჭისა. მიკრორაკეტული თრძ ორგვარია: მასტაბილიზებელი და საორიენტაციო. ჩვეულებრივ თრძ-ები მუშაობენ წვის კამერაში არსებული მუდმივი წნევის დროს. მიკრორაკეტული ძრავები უმეტესად იმპულსურია. მჟანგავის სახეობის მიხედვით თრძ არის აზოტმჟავიანი, აზოტტეტრაოქსიდიანი, ჟანგბადიანი, წყალბადზეჟანგიანი, ფთორიანი და სხვ.

მეტად ძნელია ძრავას გაგრილება, რადგან ძალიან მაღალი ტემპ-რისა (5000 K-მდე) და წნევის (ათეულ *მეგნ/მ²*-მდე) დროს მასზე მოქმედებს წვის აგრესიული პროდუქტები; ეს ზემოქმედება ზოგჯერ გაძლიერებულია კონდენსირებული ფაზის არსებობით. კამერების უმრავლესობას აგრილებენ საწვავის ერთ-ერთი კომპონენტით. ხშირად მიმართავენ შერეულ გაგრილებას, ე. ი. გარე და შიგა გაგრილებას ერთდროულად (ნახ. 4).



ნახ. 4. შერეული გაგრილების მქონე თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავას სქემა: 1 — შეკუმშულაირიანი ბალონი; 2 — წნევის რეგულატორი; 3 — საწვავის ავზები; 4 — სარქველები; 5 — წვის კამერა; 6 — საწვავის მიწოდების სარტყლები შიგა გაგრილებისათვის; 7 — საქშენი.

თხეიში, მდინარე მესტიის რ-ნში, ეგრისის ქედის ჩრდ. კალთაზე. ენგურის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს თხეიშიშდუდის მყინვარებზე, 2646 *მ* სიმაღლეზე. მდ. ენგურს ერთვის სოფ. ხაიშთან. სიგრძე 18,6 *კმ*, აუზის ფართ. 222 *კმ²*. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულზე, წყალმცირობა — ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 10,5 *მ³/წმ*. იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. *ნ. უკლება.*

თხეიშიშდუდი, მწვერვალი ეგრისის ქედზე, მდ. თხეიშის (ენგურის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 3045 *მ*. აგებულია შუაიურული პორფირიტებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. ბალახეულობით. ჩრდ. კალთაზე არის პატარა მყინვარი თხეიშიშდუდი. *მ. უთმელიძე.*

თხელკედლიანი კონსტრუქციები, სამშენებლო კონსტრუქციები, რ-ებსაც ერთი ზომა (სისქე) სხვა 2 ზომასთან შედარებით გაცილებით მცირე აქვთ (თხელი *გარსები, გუმბათები,* ნაკეცები, აგრეთვე მათგან, როგორც ელემენტებისაგან, შედგენილი რთული კონსტრუქციები). Თ. კ-ის შესაქმნელად იყენებენ ნულოვანი, ნაუსის ორმაგი სიმრუდის ან ნებისმიერი მოხაზულობის ზედაპირებს. Თ. კ. სეისმომედეგი, მსუბუქი და მაღალ სიმტკიცისა, ხელსაყრელია დიდმალიანი სათავსების გადასახურად. ამის გამო ‹სინი ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში (საქართველოშიც) სხვადასხვა სივრცული კონსტრუქციის, შეაფრებული ფილების, ასაწყობი გარსების, ე. წ. „დარბაზის" ტიპის გადახურვისა და სხვათა სახით. Თ. კ-ს ამზადებენ ლითონის, რკინაბეტონის, აგურის, ხის, პლასტმასისა და სხვა მასალისაგან, რ-ებიც სხვა ფაქტორებთან ერთად ანიჭებენ მათ იზოტროპულ ან ანიზოტროპულ და დრეკად, დრეკად-პლასტ. ან პლასტ. თვისებებს. Თ. კ-ს იყენებენ აგრეთვე სპეც. ნაგებობებში (მაგ., თხევადი და ფხვიერი მასალის შესანახი სათავსების ასაგებად), საავიაციო და რაკეტულ ტექნიკაში, გემთმშენებლობაში, კოსმოსავტიკაში (კოსმ. ხომალდის კორპუსის ასაგებად) და ა. შ. Თ. კ-ის მუშაობის პრინციპი სივრცითია. მაგ., გარსზე მოქმედ დატვირთვას ძირითადად აწონასწორებს ზედაპირის სიბრტყეში მოქმედი მემბრანული ანუ ჭანგენციალური ძალვები, ხოლო ბრტყელი სისტემებისათვის დამახასიათებელი მლუნავი ძალვების გავლენა მცირეა. Თ. კ-ს გაიანგარიშებენ გარსთა მომენტური ან უმომენტო თეორიის თანახმად.

ლიტ.: მიქელაძე მ., გარსთა თეორიის საფუძვლები, თბ., 1974; Векуа И. Н., Теория тонких и пологих оболочек переменной толщины, Новосиб., 1964; Власов В. З., Избр. труды, т. 1, М., 1962; Онанашвили О. Д., Некоторые динамические задачи теории оболочек, М., 1957. *ლ. ბუხაძე.*

თხზვა, ახალი სიტყვის წარმოქმნა ორი ან მეტი ფუძის ან სიტყვის შეერთებით (მაგ., ხელ-ფეხი, და-ძმა, დედ-მამა, ძოწითმოსილი, ხელისგული, თვალცრემლიანი, შეხმატკბილება). Თ-ის შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ *კომპოზიტს.*

თხილაგანი, სოფელი ჩოხატაურის რ-ნში (ზემო ხეთის სოფსაბჭო), მდ. ხვისწყლის ხეობაში. ზ. დ. 400 *მ*, ჩოხატაურიდან 23 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. საჭამიასერის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. განთიადში (3 *კმ*). ბ-კა.

თხილაიშვილი ხასან დედორეს ძე (14. VI. 1891—1942), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. აქტიურად იბრძოდა საქართველოსთან აჭარის შეერთებისა და ოსმალო დამპყრობთა განდევნისათვის. საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ Თ. იყო ჩაქვის თემის მილიციის კომისარი, ქობულეთის სამაზრო მილიციის უფროსი, ქობულეთის მაზრის აღმასკომის თავ-რე, სამაზრო სასამართლოს და აჭარის ცაკის წევრი. წერდა ლექსებს, რ-თა თემაა საშრ. საქართველოს ისტ. ბრძოლები, მესხეთის წარსული.

..ს თუთიყუშისნაირნი. **1.** მთის თუთიყუში; **2.** ყელსაბამიანი თუთიყუში; **3.** კარელა; **4.** ქონდარა თუთიყუში; **5.** კაკაპო; **6.** წითელი ლორი; **7.** ჭრელი ლორი; **8.** წითელი არა; **9.** ლურჯი არა; **10.** არარაუნა; **11.** კაკადუ-ინკა; **12.** ყვითელქოჩორა კაკადუ; **13.** შავი კაკადუ; **14.** ორფერი თუთიყუში, დედალი; **15.** იგივე, მამალი; **16.** როზელა; **17.** ხუჭუჭა თუთიყუში; **18.** ჟაკო; **19.** ლურჯშუბლა თუთიყუში.

სტ. *ინდომალაის ოლქი.* ინდომალაის ოლქის დამახასიათებელი ცხოველები: **1.** ფრთამატყლიანი; **2.** მფრინავი მელა; **3.** ლარი (გიბონი); **4.** ორანგუტანი; **5.** მოკლეკუდა მენექტრე; **6.** ტუპაია; **7.** ვიქტორიას აფრ'ანი; **8.** მფრინავი ბაყაყი; **9.** გრძელტერფა; **10.** ოთხრქა ანტილოპა; **11.** ინდური გიგანტური ციყვი; **12.** ფარშავანგი; **13.** ჰარპია; **14.** რქაცხვირა ფრინველი; **15.** ალკუნი გურიალი; **16.** არგუსი; **17.** ჯუჯა კამეჩი (ანოა); **18.** გიმნურა; **19.** მალაიური დათვი; **20.** ანტილოპა ნილგაუ; **21.** ბოლისფერი ლეოპარდი; **22.** ზამბარი; **23.** ბანკივური მამალი; **24.** მალაიური ვიეერა; **25.** ინდური ტაპირი (ორთუკიანი ტაპირი); **26.** ბანტენგი; **27.** ინდური სპილო; **28.** კობრა; **29.** ზოლებიანი ვარანი; **30.** გავიალი, **31.** ინდური მარტორქა; **32.** მდინარის დელფინი.

დიდი (ლვაწლი მიუძღვის ქობულეთის რ-ნში ქართ. სკოლების გახსნაში.

ლიტ.: ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათ., 1972.

თხილაბუერები, თოვლზე, ჭაობიან ადგილზე ან წყალზე გადასაადგილებელი მოწყობილობა. თ. 2 სახისაა — სასიარულო (საბიჯებელი) და სასრიალო. სასიარულო თავის მხრივ ორგვარია — თოვლისა და ჭაობისა.

სასრრიალო თ-ს განეკუთვნება სპორტული (სარბოლო, სასლალომო, სახტომი), ტურისტული, სანადირო და სპეციალური დანიშნულების თ. სპორტ. თ. მზადდება ხის, ლითონისა და სპეც. ქქიმ. პლასტიკატებისაგან. სარბენი (სარბოოლო) თ. მჩატე, ელასტიკური და ამასთანნ საკმაოდ მაგარიც უნდა იყოს. სასლალლომო თ-მა უნდა გაუძლოს მთიდან დიდი სსიჩქარით დაშვებას, ამ დროს ყველანაირრ მოხვევას და გაჩერებას, ხოლო ტრამპლინიდან ხტომისას — სწრაფ ფრენას და ლანდვას. ამ ძირითადი მოთხოვნების (გათვალისწინებით ადგენენ სპორტული (ტიპის თ-ის ზომას, წონას და შესაბამის კ კონსტრუქციებს.

სასიიარულო თ. გავრცელებული იყო საქართველ. მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. ქქართ. ხალხური თ. სხვადასხვა მოყვანილობისა იყო (გირკალისებური, ძრგვალი, ელიფსური, ოვალურჭვინტიანი) და დამზადდების ტექნიკითაც განსხვავდებოდა. გირკალისებრი თ. გავრცელებული იყო ხევსურეთში, მრგვალი — უმთავრესად სვანეთში, სამეგრელოში, ლაზეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში; ელიფსური — ქართლში, აჭჭარაში, რაჭაში, ნაწილობრივ სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო ოვალურჭვინტიანი — აჭარაში, გურიასა და ლაზეთში. საქართვ. მთიანეთში ცნობილია ადგილობრივი წარმოშობის თ. ამ მარტივ სასრიალო თ-ს სვანეთში „ლაჩირხალალი" ჰქვია, თუშეთში — ქოკები, მთიულეთში — კაგდდუბი და სხვ. ძველად საქართვ. მთიანეთში სასიარულო (საბიჯებელი) თ-ს იყენებდნენ ზამთარში ნადირობისას და დათოვლილი ბილიკების დასატკეპნად, სამგზავრავრად, ოვალურ თ-ს — ნადირობისა და ლაშქრობის დროს. ქართ. ხალხური თ-ის დიდი კოლექცია დაცულია საქართველ. სახელმწ. მუზეუმის ეთნოგრ. განყ-ბის ფონდებში. ამ ტიპის თ-ის გამოყენება საქართველოსა და კავკასიაში ძვ. ბერძნ. ისაისტორიო მწერლობაშიცაა დამოწმებებული. საქართვ. და კავკ. გარდა სასიარრულო (საბიჯებელი) თ. ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული შუა აზიის მთიანეთში, ციმბირში, ევროპასა და ჩრდ. ამერ. ცივ ზოლში. რუსეთის ჩრდილოეთისა და სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებდა სასრიალო თ-საც, როგორც თავისი არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას.

ფ. ნავერიანი.

თხილლშანა, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ში (ხიხაძირის სოფსაბჭო), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. ხიხანისწყლის (სხალლთის აუზი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1440 *მ*, ხულოდან 45 *კმ*. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). საშ. და რვაწლ. სკოლები, კლუბები (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სასამეანო პუნქტი. შუა საუკ. თამარის ციხე.

თხილლთაფუარო, სოფელი თერჯოლის რ-ში (ალისუბნის სოფსაბჭო), მდ. ჩხარის სათავეში. ზ. დ. 440 *მ*, თერჯოლიდან 14 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ*. ალისუბნის ფ. ენგელსის სახ. კოლ-ბა (მეევნახეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ზედა ალისუბანში (2 *კმ*).

თხილლი (Corylus), ფოთოლმცვივანი ბუჩქებისა, იშვიათად ხეების გვარი თხილისებრთა ან, ფართო გაგებით, არყისებრთა ოჯახისა. მტვრიანებიანი ყვავილები უყვავილსაფრთა და მჭადა ყვავილედადაა შეკრებილი. ბუტკოიანი ყვავილები კვირტშია ჩამალული და გარეთ მხოლოდ დინგები აქვს გამოყოფილი. თითოეული ყვავილის ირგვლივ ვითარდება სამ-სამი ურთიერთშეზრდილი თანაყვავილედი, რ-იც ნაყოფის მომწიფებისას დიდდება და სხვადასხვა ფორმის ნაყოფსაფარს (ბუდეს) ქმნის. ნაყოფი ერთთესლიანი კაკალია. გვარი შეიცავს 20-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევროპის, აზიისა და ჩრდ. ამერ. ფოთლოვანი ტყეების ზონაში. სსრკ-ში გვხვდება 7 სახეობა. საქართვ. ტყეებში ზ. დ. 1500—1800 *მ*-მდე ბუნებრივად იზრდება თ-ის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თ. (C. avellana) ბუჩქი ან 8 *მ*-მდე სიმაღლის ხეა. გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ქვეტყედ მუხნარებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპ. მეჩხერში. ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებ.-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტ-ში. ერთი ბუჩქიდან 3 *კგ*-ზე მეტი მოსავალი მოდის. მრავლდება თესლით, ძირკვისა და ფესვის ამონაყრით, იშვიათად გადაწიდვნით. ცოცხლობს 70—80 წელს. დეკორატიულია. იყენებენ ფერდობების გასატყიანებლად, ერთ-ორწლიან ღეროებს — წნელად, კალათების, გოდრების, ლახტების დასაწნავად. *დათვისთხილა* და პონტოური თ. (C. pontica) იზრდება გურიასა და აჭარაში; იმერული თ. (C. imeretina), *კოლხური თხილი* და კახური თ. (C. cachetica) საქართველოს ენდემებია. *მ. ლორია.*

თხილიანა, სოფელი დუშეთის რ-ში (უკანაფშავის სოფსაბჭო), მდ. ფშავის არაგვის ხეობაში. ზ. დ. 1360 *მ*, დუშეთიდან 58 *კმ*. მაღაროსკარის კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ბარისახოში (10 *კმ*).

თხილნარი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ში, მდ. ჭოროხის მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: თ., აგარა, ზედა თხილნარი, მახო, მურმანეთი, სიმონეთი, ჭარნალი). ზ. დ. 120 *მ*, ხელვაჩაურიდან 3 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 13 *კმ*. მ. გორკის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). 2 დაწყ., რვაწლ. და საშ. სკოლა, ბაგა-ბალი, კულტსახლი, 2 ბ-კა, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

თხილოვანი, სოფელი დუშეთის რ-ში (გრემისხევის სოფსაბჭო), ალევის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ნარეკვავის ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*, მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 30 *კმ*. დუშეთის საბჭ. მეურნ. (მეხილეობა, მესაქონლეობა). საშ. სკოლა სოფ. ციხისუბანში (3 *კმ*).

თხინა, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ში, კოდორის ქედის სამხრ. კალთის ძირას, მდ. მოქვის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: თ., აბაჟვახუ, ახიკაა). ზ. დ. 130 *მ*, ოჩამჩირიდან 25 *კმ*. ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეევნახეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი.

თხინალა, სოფელი გორის რ-ში (ბოშურის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1350 *მ*, გორიდან 35 *კმ*. მსხვილფეხა რქ. საქონლის სასუქი მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო ბოშურში (7 *კმ*).

თხინალა, ხაშურის რ-ნის სოფლების *დიდი თხინალისა* და *პატარა თხინალის* ძვ. სახელწოდება.

თხინაშკარი, სოფელი აფხ. ასსრ გალის რ-ში (რეფო-შეშელეთის სოფსაბჭო), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 15 *მ*, გალიდან 8 *კმ*. ხუმუშქურის ჩაის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ხუმუშქურში (4 *კმ*).

თხინვალი, ნასოფლარი თეთრი წყაროს რ-ში (მანგლისის სადაბო საბჭო), ქსილისის მთის (თრიალეთის ქედი) სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1300 *მ*, თეთრი წყაროდან 60 *კმ*, მანგლისიდან 7 *კმ*. თ-ში შემორჩენილია შუა ფეოდ. ხანის 3 ეკლესია.

თხინვალი (ყოფ. ახალსაყდარი), სოფელი მახარაძის რ-ში, ნასაკირალის სერის სამხრ. კალთაზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 80 *მ*, მახარაძიდან 14 *კმ*, მერეიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა), ჩაის ფ-კა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაგა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.



თხელკედლიანი კონსტრუქციები.

თხინვალი, სოფელი მცხეთის რ-ნში (ლისის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედზე, ლისის ტბის დას-ით. ზ. დ. 770 *მ*, მცხეთიდან 20 *კმ*, თბილისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. დილმის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ლისში (3 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი. სოფელი (თხილოვნა) წყაროებში პირველად იხსენიება XV ს-ში. სოფლიდან 2 *კმ*-ზე შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები: ფეოდალის (გაბაშვილების) სასახლის ნანგრევები და წმ. გიორგის ეკლესია (XVII—XVIII სს.). სასახლე ნახევარწრიული ბურჯებით გამაგრებული აგურის ორსართულიანი შენობა იყო, ყოველ სართულს ისრული კამარით გადახურული თითო დარბაზი ჰქონდა. შენობაში შერწყმული იყო საცხოვრ. სახლისა და გამაგრებული კოშკის ფუნქციები. ეკლესია ნაშენია აგურით. მოგვიანებით იგი მეორე (გარეთა) კედლით გაუმაგრებიათ. გარედან მარტივია, შიგნით გვიანდ. ფეოდ. ხანის ქართ. საერო ხუროთმოძღვრების გავლენა იგრძნობა (კედლის ღრმა ნიშების მწკრივი, ამოკაწრული დეკორატიული სახეები).

თხისზურგის ქედი, საშუალო სიმაღლის განედური ქედი მდ-ებს ლუხუნისწყალსა და რიცეულას შორის, უდიდესი მწვერვალის სიმაღლეა 1878,5 *მ*. აგებულია ბაიოსური პორფირიტებით, მათი ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფ-ქვიშაქვებით. თხემი მოსწორებულია. ქედი შემოსილია წიფლისა და რცხილის ტყით.

ს. ნემანიშვილი.

თხის რქა (ლათ. Capricornus), სამხრ. ნახევარსფეროს ერთ-ერთი *თანავარსკვლავედი* (ეკუთვნის *ზოდიაქოს*). მისი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი (თხის რქის δ) 2,8 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა*. თ. რ-ის სახელი მიკუთვნებული აქვს სამხრ. ტროპიკს, რაც იმით აიხსნება, რომ შესაბამისი ასტრონ. ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ეპოქაში (2000 წლის წინათ) ზამთრის *მზებუდობის* დღეს მზე თ. რ-ის თანავარსკვლავედში იმყოფებოდა. თ. რ. ჩანს სსრკ-ის სამხრ. რ-ნებიდან. ხილვადობის საუკეთესო პირობებია ივლის-აგვისტოში.

ჩვეულებრივი თხილი: ა — ტოტი მამრობითი მჭადათი. ბ — ნაყოფიანი ტოტი.

თხმელა, მცენარის გვარი არყისებრთა ოჯახისა; იგივეა, რაც *ბურყანი*.

თხმელარი, სოფელი აბაშის რ-ნში (პირველი მაისის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 15 *მ*, აბაშიდან 6 *კმ*. პირველი მაისის მ. კალინინის სახ. კოლ-ბა (მემცენარეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. პირველ მაისში (2 *კმ*). ბ-კა.



თხმორის განძი. კელტი. ბრინჯაო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრი. თბილისი.

თხმორი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ნამანევის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. შარეულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ამბროლაურიდან 30 *კმ*. შავრა-ნამანევის კოლ-ბა (მეცხოველეობა, მებაღეობა, მემცენარეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ნამანევში (4 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. თ-ში მიკვლეულია სპილენძისა და ბრინჯაოს ნაკეთობათა განძი (ძვ. წ. XI—IX სს.).

თხმორის განძი, ძვ. წ. XI—IX სს. არქეოლოგიური ძეგლი, რ-იც 1953 შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. თხმორში (ამბროლა-

ურის რ-ნი). თიხის შავპრიალა დაზიანებულ დერგში ეწყო გვიანდ. ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ნივთები, რ-თაგან შემორჩა 5 სახის სხვადასხვა ზომის თოხი და მათი ნატეხები (20 ც.), 6 სახეობის სეგმენტისებური იარაღი (20 ც.). სატევრის პირის ფორმის მინიატიურული საკიდები (13 ც.), ორყურა კელტი (1 ც.) და სპილენძის ზოდები. თ. ბ-ის ნივთები საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

ლიტ.: ღამბაშიძე ო., თხმორის განძი, თბ., 1963. *ო. ღამბაშიძე.*

თხორჟევსკი ივანე ფელიქსის ძე [1843, სევასტოპოლი, — 3 (16). IV. 1910, თბილისი], რუსი პოეტი, მთარგმნელი. ცოლთან, ალექსანდრა პალექსანდრეს ასულთან [30. XII. 1855 (11. I. 1856), ოდესა, — II. 1933, ლენინგრადი] ერთად ხშირად აქვეყნებდა ლექსებს საერთო ფსევდონიმით „ივან-და-მარია". 70-იანი წწ. დასასრულს ცოლ-ქმარი თბილისში ჩამოვიდა და აქაურ ლიტ.-საზ. ცხოვრებაში ჩაება. მათი ნაწარმოებები იბეჭდებოდა იუმორისტულ ჟურნალ „ფალანგაში", რ-იც 1880—81 გამოდიოდა თბილისში რუს. ენაზე. ამ ჟურნალის აკრძალვისთანავე, 1881 დეკ-იდან, თ-მ ადგილ. პროგრ. ძალების დახმარებით გამოსცა მხატვრულ-იუმორისტული ჟურნ. „გუსლი" (1881—82), რ-შიც იბეჭდებოდა მისი, აგრეთვე დ. ერისთავის, დ. მინაევის, ა. პლეშჩეევის, ა. პალმის და სხვათა ნაწარმოებები. თ-ს დიდ დახმარებას უწევდნენ ცნობილი ქართვ. პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე და სხვ. ქართვ. მოღვაწეები. 1901 თ-ს თაოსნობით გამოიცა ჟურნ. „არგონავტი". მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი დაიკავა ქართ. თემატიკამ. 1897 თბილისში გამოვიდა კრებ. „ქართული პოეზიის ნიმუშები", რ-შიც წარმოდგენილია თ-ს მიერ თარგმნილი გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავისა და სხვ. ნაწარმოებები. ეს იყო ქართ. მწერლების ნაწარმოებთა ერთ-ერთი პირველი კრებ. რუს. ენაზე.

ლიტ.: Макарова Г., Кто такие «Иван-да Марья?», «Вопросы и ответы», 1969, № 10; Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе, ред. и вводная ст. В. С. Шадури, Тб., 1949. *ვ. შადური.*

თხუბუნი (ყოფ. ვარდისუბანი), სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში (მაჭარის სოფსაბჭო), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 70 *მ*, გულრიფშიდან 1 *კმ*. ი. ჭავჭავაძის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა). საშ. სკოლა სოფ. მაჭარაში (1 *კმ*).

თხუნელასებრნი (Talpidae), ძუძუმწოვართა ოჯახი მწერიჭამიების რიგისა. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. ოჯახში 4 ქვეოჯახია, რ-თაგან სსრკ-ში გვხვდება 1 — Talpinae. აქვთ მკვრივი, მოგრძო (20 *სმ*-მდე) სხეული. ყურის ნიჟარები არა აქვთ. თვალები განუვითარებელია ან დაფარულია აპკით. წინა კიდურები მოკლეა, ნიჩბისებური, უკან მიმართული ფართო მტევნები მაგარი გრძელი ბრჭყალებით ბოლოვდება. სხეული დაფარულია ხშირი, მოკლე და ხავერდოვანი ბეწვით, რ-საც ხაო არა აქვს. შეფერილობა ჩვეულებრივად შავია, რუხი ან მოწაბლისფრო. თ. კარგად არიან შეგუებული მიწაში ცხოვრებას. კარგად აქვთ განვითარებული ყნოსვა და შეხება. სსრკ-ში გავრცელებულია ევროპული ანუ ჩვეულებრივი თხუნელა (Talpa europaea) და შორეული აღმოსავლეთის თხუნელა (Mogera robusta). ჩვეულებრივი თხუნელა ფართოდაა გავრცელებული რუს. ვაკის ტყისა და ტყე-ველის ზოლში, კავკასიასა და ციმბირში. საქართველოში ბევრგან გვხვდება. ბინადრობენ ტყეში, მდელოზე, ბოსტნებში, ბაღებში, მთებში. ბუდობენ სოროში, 30 *სმ* სიღრმეზე. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. მაკეობა 40 დღემდე გრძელდება. შობენ 1—9 უსუსურ ნაშიერს. სასარგებლო ცხოველებია, ანადგურებენ მავნე მწერებს. მცირე ზიანს აყენებენ ბაღ-ბოსტნებსა და სათიბებს, რადგან მიწას თხრიან და მცენარის ფესვთა სისტემას აზიანებენ. *ს. კოხია.*

თხუნელასებრნი: 1 — ევროპული; 2 — მოგერა; 3 — ურო-ტრიხუსი (Urotrichus talpoides); 4 — ბიგასებრი თხუნელა (Uropsilus soricipes).



ი, ქართული ანბანის მეცხრე (ძვ. ქართ. ანბანის მეათე) ასო; მისი სახელია „ინი". გრაფიკული სიმბოლო წინა რიგის მაღალი აწეულობის არალაბიალიზებული ხმოვანი ბგერისა. ასომთავრულში იწერებოდა Ი, ნუსხურში — Ი. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ციფრ ათს (10).

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო ი-ს გრაფიკული მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართული დამწერლობის სამივე სახისა — ასომთავრულისა, ნუსხურისა და მხედრულისა). ‹ისინი› ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

ი, ‹ი ძ ვ, სამხრ. ჩინეთში, უმთავრესად ლიანშანის რ-ნში (სიჩუანის პროვინცია) მცხოვრები ხალხი. რაოდ. ჩინ. სრ-ში დაახლოებით 4,7 მლნ. კაცი (1970, შეფასება), რამდენიმე ათ. ვიეტ. დრ-ში ცხოვრობს. ენა—ი., ეკუთვნის ჩინურ-ტიბეტური ოჯახის ტიბეტურ-ბირმულ შტოს. ინარჩუნებენ ძვ. ტრადიც. რწმენებს. ი-ს წინაპრები იყვნენ ცუანის ტომები (III ს.). VII ს-ში 6 ტომმა (ჯაო), შექმნა სახელმწიფო ნანჯაო, რ-მაც XIII ს. შუა წლებამდე იარსება. ამ პერიოდში შეიქმნა კულტურის ძეგლები, ეპიკური ნაწარმოებები, ეროგლიფური დამწერლობა. ლიანშანის რ-ნში ი-მ XX ს. 50-იან წლებამდე შეინარჩუნა სპეციფ. მონათმფლობელური წყობა, ტომობრივი ორგანიზაცია და კასტები. სამხრ. ი-ს მთავარი საქმიანობაა სათოხნი მიწათმოქმედება, ჩრდ. და დას. ი-ს ‹ ‹ კი — მესაქონლეობაც.

ია ‹ (Viola), მცენარეთა გვარი იისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახები, ზოგჯერ ნახევრად ბუჩქები. აქვთ მორიგეობით განწყობილი ან ფესვთანურ › როზეტად შეკრებილი ფოთლები, იისფერი, ყვითელი და თეთრი მარტოული ყვავილები. გვირგვინის ქვედა ფურცელი წარნაზიდულია დეზად, რ-შიც სანექტრეა მოქცეული. ზოგიერთის უვითარდება კლეისტოგამური ყვავილები (იხ. *კლეისტოგამია*). ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია. ზოგ სახეობას ახასიათებს *ამფიკარპია*. ცნობილია 500-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში გვხვდება 100-მდე სახეობა, კერძოდ, საქართველოში — 26, მათგან 3 კავკასიისა და 2 საქართველოსს ენდემია. საქართველოში ი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, სუბალპ. და ალპ. მდელოებზე, კლდეების ნაპრალებში, ჩამონაზვავებზე, ზოგი (V. alba) სარეველაც არისს. ი. დეკორ. მცენარეა (იაკუჯუნა — V. tricolor და სხვ.), ზოგს (სურნელოვანი ი. — V. odorata) პარფიუმერიაში იყენებენ (ილუსტრაცია იხ. გვ. 36). *მ. ერისთავი.*

იაბლონეცი, ი ა ბ ლ ო ნ ე ც - ნ ა დ - ნ ი ს ო უ (Jablonec nad i Nisou), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში. 38,2 ათ. მცხ. (1976). ქვეყნის მინის მრეწვ. უდიდესი ცენტრი. მინის სამკაულების დამზადება (ე. წ. იაბლონეცის ბიჟუტერია). მანქანათსაშ. და საფეიქრო საწარმოები.

იაბლონის ძეული, ქედი იმიერბაიკალეთში, რსფსრ ჩიტის ოლქში. სიგრძე 650 *კმ*. სიმაღლე 1680 *მ*-მდე. აგებულია გრანიტებით, კრისტ. ფიქლებით, ქვიშაქვებით. კალთები 12000—1400 *მ*-მდე შემოსილია ლარიქსის ან ნაძვისა და კედრისს ტაიგით. სამხრ. კალთებზე ფიჭვის ტყეებია, მწვერვალებზე — მთა-ტუნდრის, ხეობებში — მდელოს მცენარეულობა.

იაბლონსკი (Jabłoński) ჰენრიკ (დ. 27. XII. 1909), პოლონეთის სრ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ისტო-

ასომთავრული		ნუსხური	მხედრული	საუკუნეები
ეპიგრაფიკის	ნიგნის			
				V
				VI–VII
				VIII
				IX
				X
				XI
				XII
				XIII
				XIV
				XV
				XVI
				XVII
				XVIII



ია (Viola orthoceras).

პ. იაბლოჩკოვი.



იაგუარი.

რიკოსი, 1972-იდან პოლ. სრ-ის სახელმწ. საბჭოს თავ-რე (კვლავ აირჩიეს 1976). პოლ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1956). პოლ. სოციალ. პარტიის (პსპ) წევრი 1931-იდან. 1945-იდან *კრაიოვა რადა ნაროდოვას*, შემდეგ (1947-იდან) საკანონმდებლო სეიმის წევრი. 1946—48 პსპ-ს ცენტრ. აღმ. კომიტეტის მდივანი, თავ-რის მოადგილე, 1947—53 განათლების მინისტრის მოადგილე. 1955—65 პოლ. მეცნ. აკად. სწავლული მდივანი. 1965—72 პოლ. სრ განათლებისა და უმაღლესი განათლების მინისტრი, პოლ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1966—71). 1948-იდან პოლ. გაერთ. მუშათა პარტიის (პგმპ) ცკ-ის წევრი, 1971-იდან პგმპ-ის ცკ პოლიტბიუროს წევრი. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ იბრძოდა პოლონეთში, ნორვეგიაში, საფრანგეთში (პოლ. წინააღმდეგობის მოძრაობაში).

იაბლოჩკინა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული [3 (15). XI. 1866—20. III. 1964, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი, თეატრმოღვაწე, სსრკ სახ. არტისტი (1937). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1885 თბილისში, რუს. დრამის თეატრში. 1888-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. მცირე თეატრის მსახიობი. სცენაზე გამოდიოდა რუს. სცენის დიდოსტატებთან მ. ერმოლოვასთან, ა. ლენსკისთან, ა. სუმბათაშვილ-იუჟინთან, ო. სადოვსკაიასთან ერთად, რ-თაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მის შემოქმედებაზე. ი. გამთირჩეოდა ბრწყინვალე სასცენო მეტყველებით, არტისტიზმით, ნატიფი გემოვნებით. როლები: სოფია (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), მარია ანტონოვნა (გოგოლის „რევიზორი“), ლედი სნირუელი (შერიდანის „ავყიობის სკოლა“), რუქაია (სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი“), გორნოსტაევა (ტრენიოვის „ლიუბოვ იაროვაია“), ვარვარა (კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი“) და სხვ. უკანასკნელად სცენაზე გამოვიდა 1961. ჯერ კიდევ რევოლუციამდე მრავალჯერ აირჩიეს მცირე თეატრის „მსახიობთა კორპორაციის“ თავ-რედ, 1917-იდან (რუს. თეატრ. საზ-ბის დამაარსებლის მ. *სავინას* გარდაცვალების შემდეგ) იყო რუს. თეატრ. საზ-ბის უცვლელი თავ-რე. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Филиппов В., А. А. *Яблочкина*, М.—Л., 1947.

იაბლოჩკოვი პავლე ნიკოლოზის ძე [2 (14). IX. 1847, ს. ჟადოვკა, სარატოვის გუბ., — 19 (31). III. 1894, სარატოვი], რუსი გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში, სამხ. ინჟინერი. რკალური ნათურის — ი-ის სანთლის — გამოგონებით (1876) დახაბამი მისცა ელექტრული განათების პირველ პრაქტიკულად გამოსაყენებელ სისტემას. ი-ის სანთელი თავის დროზე მთელ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული. ი-მა დაამუშავა ცვლადი დენის ელექტრული მანქანის ორიგინ. კონსტრუქცია, 1879 ი-მა წამოაყენა ელექტროენერგიის ცენტრალიზებული წარმოებისა და მოხმარების ადგილზე მისი ქსელებით გადაცემის იდეა, რაც მოგვიანებით განხორციელდა. ელექტრულ განათებაზე მუშაობის პროცესში ი-მა შექმნა რკალური ნათურის რამდენიმე კონსტრუქცია, აგრეთვე ნათურა (1877), რ-ის სანთლის წყაროს წარმოადგენდა კაოლინის ფირფიტა, რ-იც გავარვარებული იყო მასში გამავალი დენით. სიცოცხლის ბოლო წლებში ი. მუშაობდა ელექტრული დენის სხვადასხვა გენერატორის — დინამომანქანისა და გალვანური ელემენტის — შექმნაზე.

წყ.: Труды. Документы. Материалы, М., 1954.

ლიტ.: Белькинд Л. Д., Павел Николаевич Яблочков, Жизнь и труды, М.—Л., 1950; Капцов Н. А., Павел Николаевич Яблочков, Его жизнь и деятельность, М., 1957.

იაბლოჩკოვის სანთელი, კაოლინით ერთმანეთისაგან გამოყოფილ ორ პარალელურ ელექტროდს შორის ანთებული ელექტრული რკალით მნათი ხელოვნური სინათლის წყარო, 1876 გამოიგონა რუსმა ინჟინერმა პ. *იაბლოჩკოვმა*. რბილფერი მინის სფეროსებრ არმატურაში მოთავსებული ი. ს. ფართოდ დაინერგა 1876—78 როგორც რუსეთში, ისე სხვა ქვეყნებში, სადაც მას „რუსულ სინათლეს“ უწოდებდნენ. ი. ს-ს ხმარობდნენ ქუჩების, მოედნებისა და დიდი სათავსების გასანათებლად. ი. ს. შეცვალა ვარვარის ნათურამ. იხ. აგრეთვე *სინათლის წყაროები*.

იაგელო, იოგაილა (დაახლ. 1350—1. VI. 1434), ლიტვის დიდი მთავარი (1377—92 დროდადრო), პოლონეთის მეფე (1386-იდან). იაგელონთა დინასტიის ფუძემდებელი. მმართველობის პირველ წლებში ატარებდა ტევტონთა ორდენთან თანამხრომლობის პოლიტიკას. 1385 დაიდო პოლ.-ლიტვ. კრევოს უნია, რის შედეგადაც ი. პოლ. დედოფალ იადვიგაზე დაქორწინდა, კათოლიკობა მიიღო და პოლ. მეფე გახდა (ვლადისლავ II-ის სახელწოდებით). პოლ. და ლიტვ. უნიამ რუს და ლიტვ. ფეოდალთა უკმაყოფილება გამოიწვია. მოწინააღმდეგეებს ვიტაუტასი ხელმძღვანელობდა. 1392 ი. იძულებული გახდა ვიტაუტასი ლიტვ. მთავრად ეცნო. ი-ს ხელმძღვანელობით *გრუნვალდის ბრძოლაში* (1410) პოლ. და ლიტვ. გაერთ. ძალებმა რუსთა პოლკებისა და ჩეხების რაზმების მონაწილეობით მძიმე დამარცხება აგებეს ტევტონთა ორდენს.

იაგელონები (Jagiellonowie), ლიტვის დიდ მთავართა (1377—1572) და პოლონეთის მეფეთა (1386—1572) დინასტია. სახელწ. მოდის ამ დინასტიის ფუძემდებლის ვლადისლავ II იაგელოს სახელისაგან. მისი უფროსი ძე — ვლადისლავ III უნგრეთის ტახტსაც ფლობდა (1440—44), უმცროსი — კაზიმეჟი 1440 ლიტვის დიდ მთავრად აირჩიეს, ხოლო ძმის — ვლადისლავ III-ის ვარნის ბრძოლაში დაღუპვის (1444) შემდეგ პოლ. მეფე გახდა, რითაც აღდგა პოლონეთ-ლიტვის დინასტიური უნია. კაზიმეჟ IV-ის უფროსი ძე ვლადისლავი ფლობდა ჩეხიისა (1471—1516) და უნგრეთის (1490—1516) სამეფო ტახტებს. ი-ის დინასტიის უნგრულ-ჩეხური შტო შეწყდა 1526 მოჰაჩის ბრძოლაში მეფე ლუდვიგის დაღუპვის, ხოლო პოლონეთში 1572 *სიგიზმუნდ II ავგუსტის* სიკვდილის შემდეგ.

იაგოტინი, ქალაქი (1957-იდან) უკრ. სსრ კიევის ოლქში, მდ. სუპოის (დნეპრის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. იაგოტინის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. შაქრის კომბინატი, რძის, აგურის ქ-ნები.

იაგუარი (Panthera onca), მტაცებელი ბუმბუმწოვარი *კატისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 2 *მ*, წონა 140 *კგ* აღწევს. აქვს მასიური, მოქნილი სხეული, მოკლე ფეხები, ფართო, ძლიერბრჭყვალებიანი თათები. ფერად მოწითალო-ყვითელია, თან შავი რგოლები და ხალები აქვს, ზოგჯერ შავიც გვხვდება. ი. გავრცელებულია ჩრდ., ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში. ბინადრობს ხშირ, ტენიან ტროპ. და სუბტროპ. ტყეებში, უმთავრესად არჩევს მდინარეთა სანაპიროებს. კარგად დაცოცავს ხეებზე და ცურავს. იკვებება ძლიოსნებით (ტაპირი, ირემი, პეკარი), ღორღნელებით, თევზებით, ჭამს აგრეთვე კუს და მის კვერცხებს, ზოგჯერ თავს ესხმის შინაურ საქონელსაც. მაკეობა 3,5 თვე გრძელდება, შობს 4-მდე ბოკვერს. აქვს მცირე სარეწაო მნიშვნელობა (ყენებენ ტყავს). *რ. ავალიანი.*

იაგუნდი (ფალაური—იაკუნდ), ბუნერალ *კორუნდის* გამჭვირვალე, სხვადასხვა ფერის სახესხვაობათა კრებითი სახელი. წითელი ი., რ-საც ზოგჯერ შეცდომით *ლალს* უწოდებენ, შეიცავს Cr^{3+} (2%-მდე). მის ფერს განაპირობებს კვანტური გადასვლები შიგაკრისტ. ველით გახლეჩილ Cr^{3+}-იონის ენერგეტ. დონეებს შორის. Cr^{3+}-იონის სხვა დონეებს შორის გადასვლებთან არის დაკავშირებული მისი ლაზერული გამოსხივება სპექტრის წითელ არეში (იხ. *კვანტური ელექტრონიკა* და *ლაზერი*). ყვითელი ი. ცნობილია აღმოსავლური ტოპაზის, ლურჯი — საფირონის, მწვანე — აღმოსავლური ზურმუხტის, იისფერი — აღმოსავლური ამეთვისტოს, ხოლო უფერული — ლეუკოსაფირონის სახელით. ი. პირველი კლასის ძვირფასი ქვაა. *თ. ავალიანი.*

იადავები, დინასტია, რ-იც XII—XIV სს-ში განაგებდა ამავე სახელწოდების ფეოდალურ სახელმწიფოს სამხრ. ინდოეთში. ი-ის სამთავროს დედაქალაქი იყო ქ. დევაგირი. XII ს. ბოლოს ი. განთავისუფლდნენ დას. ჩალუკების ვასალური დამოკიდებულებისაგან და დამოუკიდებელი გამგებლები გახდნენ. XIII ს. I ნახევარში დეკანის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიმორჩილეს. XIII ს. ბოლოს ი. დამარცხდნენ და თავი აღიარეს დელის სულთნის ვასალებად (1307). 1318 ი-ის სახელმწიფო *დელის სასულთნოს* შეუერთდა.

იადგარი (სპარს.—ხსოვნა, სახსოვარი), ქართული ლიტურგიკული კრებული, რ-შიც თავმოყრილია ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში დაწესებულ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულთა დ-ხსენებათა საგალობლები. კრებ. იწყება შობით და თანამიმდევრულად მთელი წლის დღესასწაულთა საგალობლებს შეიცავს; კალენდარული თანამიმდევრობა დარღვეულია მარტსა და აპრილს შორის, რადგან აქ ჩართულია დიდმარხვისა და ზატიკის მოძრავი დღესასწაულების საგალობლები. ი. ადრეულ შუა საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი. ის ბიზანტიური და ქართ. ჰიმნოგრაფიის განვითარების საწყისებთან დგას და თავისი დროის უნივერს. საგალობელ კრებულს წარმოადგენს. მის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო „ქართული (იერუსალიმური) ლექციონარი“ (V—VII სს.). უძველესი ტიპის ქართ. ი-ის ტექსტები, რ-ებიც VII—VIII სს-ში უნდა იყოს თარგმნილი, დაწერილია ე. წ. „წყობილი სიტყვით“. საგალობლის რიტმიკა დამყარებულია. არა *ტროპარებს* შორის არსებულ სილაბურ თანაფარდობაზე, არამედ შინაარსობრივად შეკრულ ტაეპთა „რიცხვედობაზე“. IX—X სს. მიჯნაზე შეიქმნა ი-ის ახ. ტიპი, რ-ის საგალობლები გამართულია „საგალობელი მარცვლედის“ საზომით. ყოველ გალობას თან ახლავს თავისი მუს.-რიტმული მოდელი — *ძლისპირი*. ქართ. ი-მა განვითარების დიდი გზა განვლო მოკლე რედაქციიდან უაღრესად მდიდარი რეპერტუარით წარმოდგენილ „საწელიწდო იადგარამდე“ (X ს.). ი-ის ჩვენამდე მოღწეული თითქმის ყველა ნუსხა X ს. თარიღდება. მათ შემოგვინახეს თარგმნილი და ორიგინ. საგალობლების უმდიდრესი რეპერტუარი და ამავე დროს უძველესი სანოტო სისტემით ჩაწერილი გალობათა მელოდიები. *მიქაელ მოდრეკილის* მიერ შედგენილ „იადგარში“ (978—986) ყველაზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი ქართვ. ჰიმნოგრაფთა შემოქმედება.

ქართ. Ი-ებს მნიშვნელობა აქვს ქართ. და ბიზანტ. ჰიმნოგრაფიის ისტ. თვალსაზრისით, რადგან Ი-ის ბერძნ. პირველსახე ჩვენამდე მოღწეული არ არის. ქართ. Ი-ები „ქართულ (იერუსალიმურ) ლექციონართან" ერთად წარმოგვიდგენს ჰიმნოგრაფიის განვითარების თვალსაჩინო სურათს XI ს. დამდეგამდე.

„Ი." დიპლომატიკური ტერმინიცაა და ზოგჯერ შეწირულების სიგელის ნიშნველობით იხმარებოდა.

გამოც.: მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები (X ს.), ვ. გვახარიას გამოც., წგნ. 1—3, თბ., 1978; ჭილეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა, ა. შანიძის რედ., თბ., 1977; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1970, სს. 231, 233.

ლიტ.: ინგოროყვა ბ., თხზულებათა კრებული, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუფისა, მის წგნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 8, თბ., 1962; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ძლისმბრნი და ღმრთისმშობლისანი, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1971; Кекелидзе К., Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тфл., 1908.

ლ. ხევსურიანი.

„ᲘᲐᲥᲘᲒᲐᲠ ᲓᲐᲣᲦᲘ“, XVI ს. ენციკლოპედიური ხასიათის ქართული სამედიცინო ძეგლი (ავტორი *დავით XI*, დაუთ ხანი). მოიცავს იმდროინდელი მედ. თითქმის ყველა საკითხს. წიგნის ზოგად ნაწილში მოკლე ანატ.-ფიზიოლ. მონაცემების შემდეგ დეტალურადაა განხილული ჰიგიენისა და დიეტეტიკის საკითხები და დიაგნოსტიკური საშუალებები. ავტორი დაწვრილებით აღწერს დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის წესებს, „ძილისა და სიფხიზლის", სქესობრივი ჰიგიენის საკითხებს, იხილავს საკვები პროდუქტების და სამკურნ. საშუალებების თვისებებს, მათ კვებითს და სამკურნ. ღირებულებასა თუ მავნეობას. კერძო ნაწილში გარჩეულია პათოლ. და თერაპიის ძირითადი საკითხები, თანამიმდევრულადაა განხილული იმ დროს არსებული მედ. თითქმის ყველა დარგი: პირველ რიგში ნერვული და ფსიქ. დაავადებები, შემდეგ თვალის, ყურის, კბილის, სახსრებისა და კანის, შარდ-სასქესო და სხვ. შინაგანი ორგანოების დაავადებები, ციებ-ცხელება, მოტეხილობა, სიდამწვრე და ა. შ. „Ი. დ-ში" თითქმის ყველა დაავადება ცალ-ცალკეა დახასიათებული, აღწერილია აგრეთვე კლიმატურ-ბალნეოლ. და სხვ. ბუნებრივი ფაქტორების სამკურნ. გამოყენება. გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა (1938).

მ. შენგელია.

ᲘᲐᲚᲝᲜᲘ, იხ. *ბულბული.*

ᲘᲐᲕᲐ (Java), კუნძული მალაის არქიპელაგში, დიდი ზონდის კ-ების ჯგუფში. ეკუთვნის ინდონეზიას. სამხრ-ით აკრავს ინდ. ოკეანე, ჩრდ-ით — იავის ზღვა. სიგრძე 1050 *კმ*. ფართ. 126,5 ათ. *კმ*². მოსახლ. დაახლ. 83 მლნ. კაცი (1975). Ი-ზეა ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა. ნაპირები უმეტესად მაღალი და ციცაბოა, ზოგან დაჭაობებულია და მანგროვიანი ტყეა. რელიეფში ჭარბობს საშ. სიმაღლის (1500—1700 *მ*) ნაოჭა მთები, ვულკ. ზეგნები და კარსტული პლატოები. 136 ვულკანიდან 30 მოქმედია. ხშირია მიწისძვრა. უმაღლესი მწვერვალია სემერუ (3676 *მ*). წიაღისეულიდან აღსანიშნავია ნავთობი, მანგანუმის მადანი, ოქრო, ფოსფორიტები, გოგირდი. ჰავა სუბეკვატორული მუსონურია. ჰაერის საშ. თვიური ტემპ-რები ვაკეზე 26—27°C, 1500 *მ*-ზე მაღლა — დაახლ. 18°C,. 3000 *მ*-ზე — დაახლ. 9°C. ნალექები ვაკეზე 1000—2000 *მმ*, მთაში დაახლ. 5000 *მმ* წელიწადში. მშრალი სეზონი მაისიდან ოქტ-მდეა. მდ-ები უხვწყლიანია, იყენებენ სარწყავად. გვხვდება ლატერიტული, ალუვიური, შავმიწა ნიადაგები. Ი-ის დას. ნაწილში ნოტიო მარადმწვანე, აღმ. ნაწილში — ფოთოლმცვივანი ტროპ. ტყეები და სავანა. Ი-ის ფართობის დაახლ. 1/4 ტყეს უჭირავს. 1500 *მ* სიმაღლემდე გვხვდება პალმები, ფიკუსები, ხისმაგვარი გვიმრები; 2500 *მ*-მდე — სუბტროპ. ტყეები, დაფნა, მარადმწვანე მუხა. ცხოველებიდან შემორჩენილია გიბონი, ირემი, ტახი, მარტორქა. მოსახლ. მისდევს მიწათმოქმედებას. გააქვთ კაუჩუკი, ქინაქინი, სანელებლები. დიდი ქ-ებია: ჯაკარტა, ბანდუნგი, ჯოკიაკარტა, სემარანგი და სხვ.

ᲘᲐᲕᲐᲜᲗᲠᲝᲠᲘ [Homo (Javanthropus) soloensis], ნამარხი ადამიანი, რ-ის ნაშთები ნაპოვნია (1931—32) იავის მეოთხეულ ნალექებში სოფ. ნგანდონგთან, მდ. სოლოს ველზე. მეცნიერთა უმრავლესობა Ი-ს *ნეანდერტალელებს* აკუთვნებს. Ი-ის ქალას თავისებურებები მოწმობს *პითეკანთროპოდან* ნეანდერტალელისაკენ თანდათანობით გადასვლას.

ᲘᲐᲕᲐᲢᲐ, ქალაქი იაპონიაში, კ. კიუსიუს ჩრდ. ნაწილში, ფუკუოკის პრეფექტურაში. 347 ათ. მცხ. (1970). იაპ. მნიშვნელოვანი მეტალ. ცენტრი. ახალი ქალაქის *კიტაკიუსიუს* ბირთვი. მეტალ. კომბინატი. ცემენტის, ალუმინის, მინა-კერამ., ელექტროძრავათსაშ., ქიმ. მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება.

ᲘᲐᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ინდონეზიის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ერი. ცხოვრობენ კ. იავაზე, სუმატრაზე, კალიმანტანსა და მალაის არქიპელაგის სხვა კ-ებზე. რაოდ. დაახლ. 60 მლნ. კაცამდე (1975, შეფასება). ენა განეკუთვნება მალაიურ-პოლინეზიური ოჯახის ინდონეზიურ ჯგუფს. რელიგიით უმრავლესობა მუსლიმანია, არიან ქრისტიანებიც. შემონახულია წინამუსლ. რწმენების (ანიმიზმი, ინდუიზმი, ბუდიზმი) გადმონაშთები. Ი-ის წინაპრები, რ-ებიც სამხრ. მონღოლოიდურ რასას განეკუთვნებოდნენ, კ. იავაზე ძვ. წ. I ათასწლ. შუა წლებში გამოჩნდნენ. ახ. წ. I ათასწლ. შუა ხანებში Ი-ს უკვე რამდენიმე სახელმწიფო ჰქონდათ (იხ. *ინდონეზია*). Ი-მა სახელმწიფოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მაჯაპაჰიტის (1293—1520) იმპერიის არსებობის პერიოდში მიაღწიეს. XVII ს. დასაწყისიდან Ი. თანდათანობით დაიპყრეს ჰოლანდიელებმა. Ი. აქტიურად იბრძოდნენ ინდონეზიის დამოუკიდებლობისათვის. Ი. მისდევენ მიწათმოქმედებას, თევზჭერას, მეფრინველეობას, დახელოვნებული ხელოსნები არიან. განვითარებულია ბატიკა, ლითონის დამუშავება, ოქრომჭედლობა, ხეზე კვეთა, ქვისა და რქის დამუშავება, ტყავის მხატვრული დამუშავება, წვნა და, სხვ.

ᲘᲐᲕᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ 1825—30, სახალხო აჯანყება კ. იავაზე ჰოლანდიელთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყების მიზანი იყო ჰოლანდ. კოლონიზატორების განდევნა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა იავაზე. აჯანყებას ჰქონდა რელიგ. ომის ხასიათი. მეთაურობდა *დიპონეგორო*. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს იავის მნიშვნელოვანი ტერიტ. და 5 წლის განმავლობაში მამაცურად იცავდნენ თავს ჰოლანდიელთა ჯარებისაგან. 1830 ჰოლანდიელებმა გადაიბირეს იაველ ფეოდალთა ერთი ნაწილი და სასტიკად ჩააბშვეს აჯანყება.

ᲘᲐᲕᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ, კუნძულთშორისი ზღვა წყნარი ოკეანის დას-ით, სუმატრის, იავისა და კალიმანტანის კ-ებს შორის. ფართ. 552 ათ. *კმ*², საშ. სიღრმე 111 *მ*. ნაპირები უმთავრესად დაბალია, შემოსილია მანგროვიანი ტყით, ზოგან შემოსაზღვრულია მარჯნის რიფებით. წყლის საშ. თვიური ტემპ-რებია 27—29°C. მარილიანობა 29,5—33,5‰. მოქცევა სწორი ნახევარდღეღამური და დღეღამურია, სიმაღლე 1,4 *მ*-მდე. Ი. ზ-ში არის საბრვეის ქაშაყი, მფრინავი თევზი, თინუსი, ზვიგენი, ზღვის კუ, წარმოებს თევზჭერა, მარგალიტის მოპოვება. Ი. ზ-ის ნაპირებზეა ინდონეზიის ნავსადგურები: ჯაკარტა, სემარანგი (კ. იავა), ბანჯარმასინი (კ. კალიმანტანი).

ᲘᲐᲕᲘᲡ (ᲖᲝᲜᲓᲘᲡ) ᲚᲐᲠᲘ, ღრმა წყლის ღრმული ინდოეთის ოკეანეში, ზონდის კუნძულთა რკალის სამხრ. კალთის ძირში. გადაჭიმულია ნიკობარის კ-ებიდან სავუს კ-ებამდე 2900 *კმ*-ზე. მაქს. სიღრმე 7450 *მ*. ფსკერი 3—5 *კმ* სიგანის ბრტყელი აკუმულაციური ვაკეა, დაფარულია 3 *კმ* სისქის ტერიგენული ნალექებით.

„ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐ“, ძვ. ქართული ხალხური საწესო ლექს-სიმღერა, წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი. „ნანინას" ციკლის სიმღერების მსგავსად „Ი-ც" მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთან არის დაკავშირებული. „Ი-მ" დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი, დღეს მისი დანიშნულებაა ბავშვის დაძინება, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ზოგ ტექსტს ინფექციური დაავადებებისაგან (ე. წ. ბატონებისაგან) ბავშვის განსაკურნავადაც მღერიან. „Ი-ს" ციკლის ლექსებს აქვს ისტ.-შემეცნებითი და დიდაქტ.-ესთეტ. მნიშვნელობა. ქართ. მხატვრულ ლიტ-რაში „Ი-ს" მოტივებზე შექმნეს ლექსები რ. ერისთავმა, ა. წერეთელმა, ი. ჭავჭავაძემ, გ. ტაბიძემ და სხვ. „Ი-თვის" დამახასიათებელია მარტივი, მაგრამ შთამბეჭდავი მღერადი მელოდია, რ-საც ასრულებს ერთი, ან მონაცვლეობით ორი მთქმელი (ქალი) გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე. სიმღერა ერთმუხლოვანია და მდორედ ვითარდება. იგი უმთავრესად ქართულ-კახურ მუს. ფოლკლორში გვხვდება, იმერულ და გურულ სასიმღერო შემოქმედებაში უფრო გავრცელებულია „საბოდიშო" ანუ „ბატონებო". „Ი-ს" მელოდიას დამუშავებული სახით ვხვდებით ნ. ავალიშვილის, მ. ბალანჩივაძის და სხვათა შემოქმედებაში.



იაბლონჩოვის სანთელი.

ლიტ.: ბენაშვილი ა., ქართული ხმები, ტფ., [1885]; ზანდუკელი ფ., ქართული აკვნის ლექს-სიმღერები, «ალცანე», 1964, № 2; კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ჩხიკვაძე გ., ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, თბ., 1948; ჩხიკვაძე ზ., სალამური. სახალხო სიმღერები, ტფ., 1896; Аракишвили Д. И., Грузинское народное музыкальное творчество, М., 1916.

გ. ჩხიკვაძე.

ᲘᲐᲕᲝᲠᲖᲝ (Jaworzno), ქალაქი პოლონეთში, კატოვიცეს სავოევოდოში. 87,7 ათ. მცხ. (1977). ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრი. დიდი ქვანახშირის შახტები, 3 თესი. შხამიანი ქიმიკატების, ცემენტისა და მინის ქ-ნები.

ᲘᲐᲕᲝᲠᲝᲕᲘ პეიო (ნამდვ. სახელი და გვარი პეიო კრაჩოლოვი) [1 (13). I. 1877, ჩირპანი, — 16 (29). X. 1914, სოფია], ბულგარელი პოეტი, ბულგ. სოციალ. მოძრაობის მონაწილე (1892—98). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1896-იდან. გასაგრძობდა ხ. ბოტევისა და ი. ვაზოვის ტრადიციებს (კრებ. „ლექსები", 1901). Ი. მონაწილეობდა მაკედონელთა ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში (1902—03), რაც აისახა ლექსებში „ჰაიდუკთა სიმღერები" (1903) და „ჰაიდუკთა ოცნებები" (1905—08). Ი-ის პოეზია ახლოსაა ხალხურთან. იგი სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველი მიმდევარია ბულგ. ლიტ-რაში (კრებ. „უძილობა", 1907). ავტორია დრამებისა „ვიტოშის ძირას" (1911), „როგორ მიჩუმდება ექო ჭექა-ქუხილის შემდეგ" (1912) და სხვ.

ᲘᲐᲕᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, ავსტრონეზიური ანუ მალაიურ-პოლინეზიური ენების დასავლური (ინდონეზიური) ჯგუფის ერთ-ერთი ენა. გავრცელებულია კ. იავის ცენტრ. და აღმ. ნაწილში, აგრეთვე დას. ნაწილის ჩრდ. რ-ნებში. Ი. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 45 მლნ. კაცი (1970, შეფასება). Ი. ე-ის სიტყვათა აგებულება მარტივია. ტიპოლოგიურად ანალიზური წყობის ენაა. უძველესი წარწერა დათარიღებულია 732-ით, უძველესი წერილობითი ძეგლი განე-

ბ. იაზყულიევი.

იაკამარასებრნი. სამოთხის იაკამარა.

ი. იაკირი.

კუთვნება 809. ძვ. Ი. Ე-ზე შექმნილია მდიდარი ლიტ-რა, რ-საც ეტყობა ინდ. მითოლ. დიდი გავლენა. თანამედროვე Ი. Ე-ის სალიტ. ნორმად აღიარებულია ქ. სოლოს დიალექტი. თანამედროვე Ი. Ე-ში უმეტესად იყენებენ ლათ. დაწერილობას, ნაწილი ლიტ-რისა გამოდის იავური გრაფიკითაც.

ლიტ.: Теселкин А. С., Яванский язык, М., 1961.

ᲘᲐᲕᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, იხ. *ინდონეზია*, ლიტერატურა.

ᲘᲐᲖᲘᲐᲣᲚᲔᲛᲘᲡ ᲫᲔᲚᲘ, ქედი დას. პამირში, ტაჯ. სსრ-ში, მდ-ების იაზგულემსა და ბართანგს შორის. სიგრძე დაახლ. 170 *კმ*. საშ. სიმაღლე 4500—6000 *მ*, მაქს. 6974 *მ* (რევოლუციის პიკი). აგებულია კვარციტებით, თიხაფიქლებითა და გრანიტული ინტრუზიებით. გამყინვარების საერთო ფართ. დაახლ. 630 *კმ²*. კალთებზე ნახევარუდაბნოსა და მაღალმთის მეჩხერი მცენარეულობაა.

ᲘᲐᲖᲘᲙᲝᲕᲘ ნიკოლოზ დანიელის ძე (1740—1777-ის შემდეგ), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1777-იდან). 1770 მეფის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა იმ კონფლიქტის გასარკვევად, რ-საც ადგილი ჰქონდა, ერთი მხრით, გენ. გ. ტოტლებენსა და მეორე მხრით, ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის. ამასთან, მას ევალებოდა შეეკრიბა ცნობები საქართველოს შესახებ. Ი-ის მისიის შედეგად გ. ტოტლებენი საქართველოდან გაიწვიეს და ამით ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის ერთგვარად გაუმჯობესდა. 1771 იგნ. დასასრ. Ი. რუსეთში დაბრუნდა. შემდეგში მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1768—74 ომში, 1775 — ზაპოროჟიეს სეჩის განადგურებაში. 1777 დაინიშნა ნოვოროსიისკის მხარის გუბერნატორად.

საქართველოში ყოფნის დროს Ი-მა შეაგროვა მასალა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის შესახებ. საყურადღებოა მისი ე. წ. „ჩანაწერები", სადაც აღწერილია აღმ. და დას. საქართვ. გეოგრ., სოც.-ეკონ. და მატერ. კულტურის ძეგლები.

წყარო და ლიტ.: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891; Полиенктов М. А., Европейские путешественники XIII — XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ᲘᲐᲖᲘᲙᲝᲕᲘ სიკოლოზ მიხეილის ძე [4 (16). III. 1803, სიმბირსკის გუბ., — 26. XII. 1846 (7. I. 1847), მოსკოვი], რუსი პოეტი. 1822—29 სწავლობდა დერპტის (ახლანდ. ტარტუს) უნ-ტში. დაახლოებული იყო დეკაბრისტებთან, პუშკინთან. ლექსებში მკაცრად აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას, ქადაგებდა თავისუფლებას (ელეგიები: „ამაყი თავისუფლების შთაგონება", „ჯერ კიდევ დუმს ხალხის რისხვა"; ლექსი რილეევის სიკვდილით დასჯის გამო და სხვ.). მოსკოვში გადასვლის (1829) შემდეგ დაუახლოვდა მომავალ სლავოფილებს (ი. კირეევსკი, ა. ხომიაკოვი და სხვ.). გაკიცხა თავისი წარსული („აუ!", 1831). საპროგრამო ლექსში „მიწისძვრა" (1844) Ი. პოეტის მოვალეობად რელიგ. ქადაგებას მიიჩნევს. ავტორია რეალისტური მოთხრობებისა „სერჟანტი სურმინი" (1845); „ცაცხვები" (1846). საფუძველი ჩაუყარა ხალხ. შემოქმედების შეგროვება-გამოცემას.

თხზ.: Стихотворения. Сказки. Поэмы. Драматические сцены. Письма. М.—Л., 1959.

ლიტ.: Белинский В. Г., Полн. собр. соч., т. 5, М., 1954; т. 8, М., 1955.

ᲘᲐᲖᲝᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐ, კარსტული მღვიმე ქ. ქუთაისის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. წყალწითელის კანიონის უკიდურეს სამხრ. ნაწილში. ზ. დ. 75 *მ*. სიგრძე 38 *მ*. გამომუშავებულია ქვედაკარცულ კირქვებში. Ი. მ-ში არის პალეოლითის ხანის ადამიანის სადგომი. *ზ. ტინტილოზოვი.*

ᲘᲐᲖᲧᲣᲚᲘᲔᲕᲘ ბალი (დ. 2. I. 1930, სოფ. თაზე-ილი, ილიალის რ-ნი, თაშაუზის ოლქი), საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1953-იდან. დაამთავრა ჩარჯოუს პედ. ინ-ტი. 1952—60 თურქმ. ალკკ ილიალის რაიკომის მეორე, შემდეგ პირველი მდივანი, თაშაუზის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1960—62 სწავლობდა სკკპ ცკ-თან არსებულ უმაღლეს პარტ. სკოლაში. 1962—64 მუშაობდა მშრომელთა დეპუტატების ილიალის, შემდეგ ლენინის რ-ნის აღმასკომის თავ-რედ. 1965—71 იყო თურქმ. კპ ილიალის რაიკომის პირველი მდივანი, 1971—73 — მშრომელთა დეპუტატების თაშაუზის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავ-რე; 1973—75 — თურქმ. პროფკავშირთა რესპ. საბჭოს თავ-რე; 1975 დეკ-იდან — თურქმ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე და საგარეო საქმეთა მინისტრი, სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრი (1976), თურქმ. სსრ VII—IX და სსრკ X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ᲘᲐᲘᲐ, მდინარე რსფსრ კემეროვოსა და ტომსკის ოლქებში, მდ. ჩულიმის (ობის აუზი) მარცხ. შენაკადი. სიგრძე 360 *კმ*, აუზის ფართ. 11700 *კმ²*. სათავე აქვს კუზნეცკის ალათაუს ჩრდ. შტოქედებზე. საზრდოობს თოვლის წყლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 22 *კმ*-ზე 88,5 *მ³/წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა აპრილშია. სანაოსნოა შესართავიდან 114 *კმ*. აცურებენ ხე-ტყეს. Ი-ის აუზში იღებენ ქვანახშირს.

ᲘᲐᲘᲙᲘ, მდ. ურალის ძვ. სახელწოდება. ე. პუგაჩოვის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1775, დაარქვეს ურალი.

ᲘᲐᲘᲚᲐ (თურქ. საზაფხულო სამოვარი), შუა აზიაში — ჯ ა ი ლ ი ა უ, ყირიმის მთების ბრტყელი, პლატოსებური ზედაპირები. აგებულია ზედაიურული რიფული კირქვებით, რ-ებიც ძლიერ დაკარსტულია. Ი-ეკს საკუთარი სახელები აქვთ (ბაბუგან-იაილა, ჩათირდაღი და სხვ.). ზოგჯერ Ი-ს უწოდებენ მთლიანად ყირიმის მთებს.

ᲘᲐᲘᲚᲐ, სოფელი დმანისის რ-ნში (სარკინეთის სოფსაბჭო), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1520 *მ*, დმანისიდან 35 *კმ*. გომარეთის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

ᲘᲐᲙᲐᲛᲐᲠᲐᲡᲔᲑᲠᲜᲘ (Galbulidae), ფრინველების ოჯახი კოდალასნაირთა რიგისა. უმრავლესობა ბელურის ტოლია. აქვთ წვრილი, გრძელი ნისკარტი, მოგრძო სხეული. რბილ და მრავალფერ ბუმბულსაფარველს მკვეთრი ლითონისფერი ბზინვარება დაპკრავს. Ი-თა ოჯახში 5 გვარის 15 სახეობაა. გაკრცელებული არიან ცენტრ. და სამხრ. ამერ. ტყეებში. ბუდობენ ფლატეებზე, სოროებში, ან ხის ფულუროებში. დებენ 2—4 თეთრ, მრგვალ კვერცხს. დედალ-მამალი მორიგეობით კრუხობს. ყველაზე გავრცელებული სახეობებია მწვანე იაკამარა (Galbula viridis) და სამოთხის იაკამარა (G. dea).

მ. კუტუბიძე.

ᲘᲐᲙᲘ (Bos Poephagus grunniens), წყვილჩლიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ქვეოჯახისა. გარეული Ი. შემორჩენილია ტიბეტის მთებში (ზ. დ. 4500 *მ*-მდე). მინდაოს არეში აქვს კუნი. ფერად შავი ან წაბლაა, ხერხემლის გასწვრივ გასდევს ღია შეფერილობის ზოლი. სხეული დაფარულია ხშირი თიეთიკის ბეწვით. გვერდებზე და მუცელზე ბეწვი ფოჩივით აქვს ჩამოგრძელებული. შინაური Ი. გარეულზე პატარაა. ხარის საშ. სიმაღლე მინდაოში 120—135 *სმ*, ცოცხალი წონა 400 — 450 *კგ*, ფურისა, შესაბამისად, — 105—120 *სმ*, 270—300 *კგ*. Ი. საშ. წლიურად 300—350 *კგ* იწველის. რძის ცხიმიანობაა 6—7%. ხორცი მაგარია მაგრამ გემრიელი. ცხოველთა 30% ურეოა. Ი-ს აშენებენ მაღალმთიან ადგილებში — ცენტრ. აზიაში, ჰიმალაის მთებში, დას. ჩინეთში, ჩრდ. მონღოლეთში. სსრკ-ში—ყირგ. სსრ-ში, ბურ. ასსრ-ში, მთიანი ალთაის და ტუვის ავტ. ოლქებში, სადაც უბადლო საძოვარია. ძროხასთან შეჯვარებით Ი. იძლევა ჰიბრიდს (ნაყოფიერია მხოლოდ დედაღი ჰიბრიდი).

Ი. გოცირიძე.

ᲘᲐᲙᲘᲠᲘ იონა ემანუილის ძე [1 (15). VIII. 1896 — 11. VI. 1937], საბჭ. სამხედრო მოღვაწე, I რანგის კომანდარმი. კომუნისტური პარტიის წევრი 1917-იდან. 1918 იანვ. რუმინ. ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად კიშინიოვში სათავეში ჩაუდგა წითელგვარდიელთა რაზმს, მეთაურობდა ჩინელ მოხალისეთა ბატალიონს (1918 გაზაფხული—ზაფხული) 1918 დეკ.—1919 მაისში იყო მე-8 არმიის ჯარების ჯგუფის სარდალი, 1919 ივლ-იდან — 45-ე მსროლელი დივიზიის მეთაური, 1919 აგვ.-სექტ-ში — მე-12 არმიის სამხრ. ჯგუფის ჯარების სარდალი და სხვ. 1920 მარტ-სექტ-ში სარდლობდა სამხრ.-დას. ფრონტის რიგი ჯარების ჯგუფებს, 1920 ოქტ.-ნოემბ-ში წარმატებით ხელმძღვანელობდა უკრაინიდან პეტლიურ.ს ჯარების განადგურებისა და განდევნის ოპერაციას. 1921—24 იყო ყირიმისა და კიევის სამხ. ოლქების ჯარების სარდალი, 1924—25 — მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხ.-სასწ. დაწესებულებების მთავარი სამმართველოს უფროსი, 1925 ნოემბრიდან უკრ. (მოგვიანებით კიევის) სამხ. ოლქის ჯარების სარდალი. 1930 —სკპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1934-იდან –ცკ-ის წევრი. იყო სსრკ ცაკის წევრი. დაჯილდოებულია 3 წითელი დროშის ორდენით.

ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲣᲠᲘ, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (შუბნის სოფსაბჭო), სხალთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1260 *მ*, შუახევიდან 27 *კმ*. შუბნის კოლ-ბა „პრავდა" (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა.

ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ბიძინა აბიათარის ძე [1 (14). V. 1906, სოფ. ჩიხა, ახლანდ. საჩხერის რ-ნი,—1. X. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1959), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). სკკპ წევრი 1940-იდან. 1929 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. 1932—33 მახარაძის ჩაის საკავშ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე; 1941—43 ანასეულის ჩაისა და სუბტროპ. კულტურების საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი; 1943—46 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის დირექტორი; 1961—62 სოფ. მეურნ. მინისტრი. 1932-იდან გარდაცვალებამდე ეწეოდა სამეცნ.-კვლ. და პედ. მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში. იკვლევდა ჩაისა და სუბტროპ. კულტურების სელექციის საკითხებს. ავტორია სახელმძღვანელოებისა: „სუბტროპიკული კულტურების სელექცია" (თბ., 1956), „გენეტიკის სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის" (თბ., 1964) და სხვ. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, 2 „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით. *გ. თოდუა.*

ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲫᲔᲔᲑᲘ, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (დიოკნისის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ*, ხულოდან 8 *კმ*, დიოკნისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ღურტაში (1 *კმ*).

ᲘᲐᲙᲝᲑᲘ, ბიბლიის მიხედვით, ისრაელთა მოდგმის ერთ-ერთი პატრიარქი, *ისაკის* ძე. დედის, რებეკას, შემწეობითა და ცბიერებით თავისი ტყუპის ცალის, ესავისათვის, პირმშოობა წაურთმევია. მის ცოლებსა (ლიასა და რაქილს) და ხარჭებს

მისგან თორმეტი ძე უშობიათ, რ-ებიც შემდგომ ისრაელიტელთა თორმეტი ტომის მამამთავრები გამხდარან. ღმერთთან შეჭიდების შემდეგ ი-ს მეორე სახელი — ი ს რ ა ე ლ ი (სიტყვასიტყვით — ღმერთთან მებრძოლი) მიუღია, მისი შვილებისათვის კი „ისრაელის ძენი" უწოდებიათ (დაბ. 32, 28). ი-ის თქმულება ბიბლ. პატრიარქთა ლეგენდების პირველ ციკლს ეკუთვნის; მასში მკვეთრად შეინიშნება მესოპოტამიური ელემენტები. ი-ის თქმულებაში რამდენიმე სხვადასხვა გადმოცემაა გაერთიანებული, რ-ებიც ებრაელი ტომების უძველეს ისტორიას უკავშირდება. ბიბლ. ი., შესაძლოა, სხვა უფროსი პატრიარქების— აბრაამისა და ისაკის მსგავსად ტომის „წინაპარ-ღმერთის" პერსონიფიკაციას წარმოადგენდეს.

ლიტ.: Albright W. F., Archaeology ant the religion of Israel, [4 ed.], Baltimore, 1956; Eissfeldt O., Einleitung in das Alte Testament, 3. Aufl., Tübingen, 1964. *მ. შანიძე.*

იაკობ ბორის სიმონის ძე (მორიც ჰერმან) (21. IX. 1801, პოტსდამი,—11. III. 1874, პეტერბურგი), რუსი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი. პეტერბ.-მეცნ. აკად. წევრი (1847-დან). 1823 დაამთავრა გეტინგენის უნ-ტი. მუშაობდა ელექტრომაგნეტიზმისა და მისი პრაქტ. გამოყენების პრობლემებზე. 1838 მსოფლიოში პირველმა ელექტროძრავა გამოიყენა გემის ასამოძრავებლად. ე. ლენცთან ერთად საფუძვლიანად გამოიკვლია ელექტრომაგნიტები. 1838 გამოიგონა *გალვანოპლასტიკა* და ბევრი რამ გააკეთა მის დასანერგად სასტამბო და სამნყტო საქმეში, აგრეთვე სამხატვრო ნაკეთობათა წარმოებაში. 1840—50 შეიმუშავა 10-ზე მეტი სახეობის ტელეგრაფის აპარატის კონსტრუქცია. გამოიგონა ელექტრულ წრედში დენის ძალის მარეგულირებელი ხელსაწყო (აგომეტრი); მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს სამხ. ელექტროტექნიკაში, მეტროლოგიაში.

ლიტ.: Борис Семенович Якоби. Библиографический указатель. Сост. М. Г. Новлянская, М.—Л., 1953.

იაკობი (Jacobi) კარლ გუსტავ იაკობ (10. XII. 1804, პოტსდამი, — 18. II. 1851, ბერლინი), გერმანელი მათემატიკოსი, ბერლინის მეცნ. აკად. წევრი (1836), პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1833). ელიფსურ ფუნქციათა თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი. გამოიკვლია *თეტა-ფუნქციები* და ზოგიერთი სხვა ტრანსცენდენტული ფუნქცია. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს რიცხვთა თეორიაში, წრფივ ალგებრაში, ინტეგრ. აღრიცხვაში, დიფერენც. განტოლებათა თეორიასა და ვარიაციათა აღრიცხვაში. შემოიღო ფუნქციონალური დეტერმინანტები (იხ. *იაკობიანი*), გამოიკვლია ორთოგონალურ მრავალწევრთა ერთი კლასი.

იაკობი (Jacobi) ფრიდრიხ ჰაინრიხ (25. I. 1743, დიუსელდორფი, — 10. III. 1819, მიუნხენი), გერმანელი მწერალი და ფილოსოფოსი, იდეალისტი. მტრულად იყო განწყობილი ყოველგვარი პროგრესისადმი, განსაკუთრებით კი საფრანგეთის რევ., ფრანგ. მატერიალიზმისა და ათეიზმის მიმართ. უარყოფდა ყოველგვარ განსჯას და ემყარებოდა გრძნობებსა და რწმენას. იგი დ. *იუმის* მსგავსად მიიჩნევდა, რომ რეალური არსებობა მოწმდება რწმენით.

თხზ.: Werke. Gesamtausgabe, Bd. 1—6, Lpz., 1812—24; О трансцендентальном идеализме, «Новые идеи в философии», 1914, сб. 12.

ლიტ.: Фейербах Л., Якоби и философия его времени, მის წგნ.: История философии, т. 2, М., 1967.

იაკობიანი, სპეციალური ტიპის ფუნქციონალური *დეტერმინანტი.* თუ $y_i = f_i(x_1, x_2, \ldots, x_n)$ $(i=1,2,\ldots,n)$ (1), ფუნქციები უწყვეტად წარმოებადია n-განზომილებიანი სივრცის რაიმე G არეში და

$$\frac{D(y_1, y_2, \ldots, y_n)}{D(x_1, x_2, \ldots, x_n)} \equiv \begin{vmatrix} \frac{\partial y_1}{\partial x_1} & \frac{\partial y_1}{\partial x_2} & \ldots & \frac{\partial y_1}{\partial x_n} \\ \frac{\partial y_2}{\partial x_1} & \frac{\partial y_2}{\partial x_2} & \ldots & \frac{\partial y_2}{\partial x_n} \\ \frac{\partial y_n}{\partial x_1} & \frac{\partial y_n}{\partial x_2} & \ldots & \frac{\partial y_n}{\partial x_n} \end{vmatrix}$$

ი ა კ ო ბ ი ა ნ ი ნულისაგან განსხვავებულია, მაშინ G არის ყოველი წერტილის საკმაოდ მცირე მიდამო (1) გარდაქმნებით ურთიერთცალსახად აისახება $y_1, y_2, \ldots, y_n$ წერტილთა სიმრავლეში, სადაც $y_1, y_2, \ldots, y_n$ ის მნიშვნელობებია, რ-საც ღებულობენ (1) ფუნქციები ამ მიდამოს წერტილებში.

იაკობინელები, იაკობინელთა ანუ კონსტიტუციის მეგობართა კლუბის წევრები საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. ფაქტობრივად ასრულებდნენ რევ.-დემოკრ. პოლიტ. პარტიის როლს. ტერმინი „ი". იხმარება დაახლ. 1792 ბოლოდან, როცა იაკობინელთა კლუბში მოხდა მეორე განხეთქილება და იგი *ჟირონდისტებისაგან* გაიწმინდა. ი. და მათი ბელადები (მ. *რობესპიერი,* ჟ. პ. *მარატი,* ჟ. ჟ. *დანტონი,* ლ. ა. ლ. *სენ-ჟიუსტი* და სხვ.) სათავეში ედგნენ ხალხის ბრძოლას მონარქისტებისა და მათი მომხრეების *ფეიანების* წინააღმდეგ, ხოლო მონარქიის დამხობის (1792 წ. 10 აგვ.) შემდეგ კვლავ ხალხთან ერთად იბრძოდნენ მსხვილი ბურჟ. ინტერესების დამცველი ჟირონდისტების წინააღმდეგ, რ-თა ბატონობა დაემხო 1793 წ. 31 მაის—2 ივნისის სახ. აჯანყების შედეგად. ამას მოჰყვა *იაკობინელთა დიქტატურის* დამყარება. ი-ის ძალა ხალხთან კავშირში იყო, მაგრამ მალე გამომჟღავნდა ი-თა კლასობრივი შეზღუდულობა, მათი კავშირი ხალხთან სუსტი აღმოჩნდა. ი-მა ვერ შეძლეს ქალაქისა და სოფლის ღარიბთა ინტერესების ბოლომდე თანამიმდევრული დაცვა. ყოველივე ამან თავი იჩინა ი-ის მიერ მიღებული მაქსიმუმის კანონებში, *ვანტოზის დეკრეტებში* და სხვ. სხვადასხვა სოც. ძალებისაგან შემდგარ ი-თა ბლოკის შიგნით თავი იჩინა უთანხმოებამ; იგი დაიყო რამდენიმე მოპირისპირე დაჯგუფებად — რობესპიერისტებად, მემარჯვენე იაკობინელებად ანუ დანტონისტებად, მემარცხენე იაკობინელებად — ებერტისტებად და სხვ. ამ გარემოებამ საგრძნობლად შეამცირა ი-თა სოც. ბაზა. 1794 წ. 27 ივლ. *თერმიდორული გადატრიალების* შედეგად ი-თა ძალაუფლება დაეცა. მიუხედავად ბურჟ. შეზღუდულობისა, ი-მა ისტორიაში პროგრ. როლი ითამაშეს. მათ რევ. გამბედაობით, ხალხთან ერთად კავშირში ბოლო მოუღეს ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს. დაიცვეს რევ. მონაპოვარი და საფრანგეთი ფეოდ. სახელმწიფოთა ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან იხსნეს.

ლიტ.: კ ი ღ ო რ ა ძ ე გ., საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, წინააღმდეგობის გამწვავება იაკობინური ბლოკის შიგნით (დანტონისტები), «თსუ შრომები», 1960, ტ. 87. *გ. კიღორაძე.*

იაკობინელთა დიქტატურა, საფრანგეთის დიდი რევოლუციის განვითარების უმაღლეს, მესამე ეტაპზე შექმნილი რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, დამყარდა 1793 წ. 31 მაის—2 ივნისის სახ. აჯანყების შედეგად, რითაც დასრულდა *ჟირონდისტებსა* და *იაკობინელებს* შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა (დაიწყო 1793 წ. 10. VIII). ი. დ. იყო რევ.-დემოკრ. ბურჟუაზიისა და ხალხის ფართო მასების ბლოკი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. იურიდიულად ი. დ. გაფორმდა 1793 წ. 10 ოქტ. და 4 დეკ. დეკრეტებით დროებითი რევ. მთავრობის შესახებ. ი. დ-ის უმაღლესი ორგანო იყო სახ. წარმომადგენლობითი კრება—*კონვენტი.* რევ. მთავრობის ფუნქციას ოპერატიულად ასრულებდა კონვენტისეული *„საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი",* რ-საც 1793 ივლ.-აგვ-ში თითქმის განუსაზღვრელი რწმუნებანი მიენიჭა. მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო მ. *რობესპიერი.* მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტსაც", რ-ის უპირველესი ფუნქცია შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. შინაგანი და გარეშე კონტრრევ. ძალების განადგურებისა და რესტავრაციის საფრთხის ლიკვიდაციის შემდეგ იაკობინელთა ბლოკში გაძლიერდა წინააღმდეგობა. ბურჟუაზიას აღარ სურდა დამორჩილებოდა ი. დ-ის რეჟიმს, რ-იც რევ. დასაცავად მასების მობილიზების მიზნით ახორციელებდა ბურჟუაზიისათვის არასასურველ ღონისძიებებს. ბურჟუაზია ი. დ-ის მიმართ ოპოზიციურად განეწყო. ი. დ-მ თავისი ბურჟ. კლასობრივი შეზღუდულობის გამო ვერც ხალხის მოთხოვნები დააკმაყოფილა თანამიმდევრულად და ბოლომდე (იხ. *მაქსიმუმი, ლე შაპელიეს კანონი, ვანტოზის დეკრეტები*). იაკობინელთა ნაწილი მარჯვნივ გადაიხარა, ნაწილი მარცხნივ, ი. დ-მ დაკარგა სოც. საყრდენი, რის გამოც 1794 წ. 27 ივლ. *თერმიდორული გადატრიალების* შედეგად ი. დ. დაემხო. *გ. კიღორაძე.*

ბ. იაკობი.

იაკობსენი (Jacobsen) იენს პეტერ (7. IV. 1847, თისტედი, — 30. IV. 1885, იქვე), დანიელი მწერალი. განათლებით ბიოლოგი იყო; თარგმნიდა და პროპაგანდას უწევდა დარვინის თხზულებებს. ეონაწილეობდა „სამოცდაათიანელების" მოძრაობაში, რ-საც გ. *ბრანდეზი* თაოსნობდა. ი-ის ადრინდ. ლირიკა ინტიმური ხასიათისა იყო. 70-იან წლებში მისი ესთეტ. პრინციპები მკვეთრად შეიცვალა; ი-ის ლირიკამ და პროზამ სოც. შინაარსი შეიძინა. ი. მიემართა განმათ. მოძრაობას. ნოველებში „გასროლა ნისლში" (1875), „ფრუ ფენსი" (1882) და სხვ. მწერალი დაუვეწილ რეალისტ ფსიქოლოგად გვევლინება. რომანებში („ფრუ მარია გრუბე", 1876; „ნილს ლიუნე", 1880 და სხვ.) მან რთული სოც.-ეთიკური პრობლემები წამოჭრა.

ჯ. იაკობი.

იაკობსონი აუგუსტ [20. VIII (2. IX). 1904, დაბა რიაემა, პიარნუს მახლობლად, — 23. V. 1963, ტალინი], ესტონელი საბჭ. მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ესტ. სსრ სახ. მწერალი (1947). სკკპ წევრი 1942-იდან. 1927 გამოაქვეყნა რომანი „ღარიბ ცოდვილთა სოფელი". ავტორია რომანებისა „ფერმკრთალი ცხენი" (1928 — 33), „ანდრუქსონების საგვარეულო" (1931—34), „მარადიული ესტონელები" (1937—40); მოთხრობათა კრებულებისა „არწივის მართვე" (1932), „ბოლო სადგურზე" (1934), „რიგითი ჯარისკაცი მატიასი" (1935); დრამისა „მოჩვენებანი" (1939) და სხვ. ი-ის ნაწარმოებები მიმართულია სოც. უთანასწორობისა და ბურჟ. ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სამამულო ომის წლებში გამოაქვეყნა კრებულები „ცეცხლსა და სისხლში" (1942), „გოლიათების გზა" (1944). დიდი გამოძახილი პოვა აპოლიტიკურობის წინააღმდეგ მიმართულმა პიესამ „ცხოვრება ციტადელში" (1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947)

იაკი.

ა. იაკოვლევი.

ნ. კ. იაკოვლევი.

და დრამამ „ბრძოლა ფრონტის ხაზის გარეშე“ (1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1948), რ-შიც აისახა კლასობრივი წინააღმდეგობანი ბურჟ. ესტონეთში. სსრკ I—IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ლიტ.: Тоом Л., Август Якобсон, М., 1956.

იაკობსონი რომან ოსიპის ძე [დ. 11 (23). X. 1896, მოსკოვი], რუსი და ამერიკელი ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე. ჰარვარდის უნ-ტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი, ერთ-ერთი ფუძემდებელი მოსკ. ან. ლინგვ. წრისა და აგრეთვე პრაღისა და ნიუ-იორკის ლინგვისტური წრეებისა. 1914 დაამთავრა ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინ-ტი, 1918 — მოსკ. უნ-ტი. 1921 გაემგზავრა პრაღას (სწავლობდა პრაღის უნ-ტშიც). O-ის ენათმეცნ. შრომები ძირითადად ზოგადლინგვისტურ და ფონოლოგიის პრობლემებს ეხება. პოეტიკაში იგი იკვლევს ლექსისა და მეტრიკის სტრუქტურას.

თხზ.: Selected writings, v. 1—2, 4. The Hague — P., 1962 — 66, 1971; О чешском стихе преимущественно в сопоставлении с русским, [ч. 1, Берлин], 1923.

იაკობსონის ორგანო, ცხვირ-ასის ორგანო, ხმელეთის ხერხემლიანთა ცხვირის ღრუს განცალკევებული ნაწილი. O. O. თავიდან ყველა ხმელეთის ხერხემლიანს ესახება და ადამიანსაც, მოქმედ ორგანოდ უვითარდება მხოლოდ ამფიბიებს, ზოგიერთ ქვეწარმავალს (ხვლიკები და გველები) და ძუძუმწოვარს (ერთგასავლიანები, ჩანთოსნები, მწერიჭამიები, ხელფრთიანები, არასრულკბილიანები, მღრღნელები, ჩლიქოსნები). O. O. სითხით სავსე, წყვილადი პარკია, რ-იც სპეც. არხებითაა დაკავშირებული სასასთან, დაცულია ხრტილით (ძუძუმწოვრებში), აღჭურვილია კუნთებით, რ-ებიც მასში სითხის რაოდენობას არეგულირებს. O. O-ს კედელში ყნოსვითი რეცეპტორებია, რ-თა მეშვეობით ცხოველი შეიგრძნობს პირის ღრუში მყოფ სითხეში გახსნილი ნივთიერების სუნს. რუდიმენტული O. O. შერჩენილი აქვს ზოგ ადამიანსაც. O. O. პირველად აღწერა (1811) დანიელმა მეცნიერმა ლ. იაკობსონმა.

იაკობ შემოქმედელი (სამებელი, გვარად დუმბაძე), XVII—XVIII სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი. შემოქმედის მიტროპოლიტად იხსენიება 1647-იდან. ქართლის მეფის გიორგი XI-ის დავალებით გალექსა ბაგრატ მუხრანბატონის ანტიმაჰმადიანური თხზულება—„უსჯულოს მოჰამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“ (შედგება 289 თექვსმეტმარცვლიანი სტროფისაგან). მასვე ეკუთვნის თითო სტროფიანი ლექსები — არჩილ II-ის ხოტბა, პასუხი იოსებ თბილელის შეკითხვა-გამოცანებზე, რ-იც ბიბლ. თემას ეხება, და ერთიც წაღმა-უკუღმა წასაკითხი ფორმალისტური ლექსი. ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით, O. შ-ს მიეწერება გადაკეთებული *„აბდულმესიანი“*, რ-შიც ქების ობიექტი თამარისა და დავითის ნაცვლად არჩილ II-ა. O. შ-ს ქებით იხსენიებენ არჩილ II, დავით გურამიშვილი, ანტონ I, იოანე ბატონიშვილი და სხვ.

ლიტ.: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; Марр Н. Я., Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести «Дареджаниани», «Известия Академии наук», 1899, т. 10, № 2. *ბ. დარჩია.*

იაკობ ცურტაველი (ხუცესი), V ს. II ნახევრის ქართველი მწერალი, ჰაგიოგრაფი. ავტორია „შუშანიკის მარტვილობისა“ („წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“), ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართ. ორიგინ. ძეგლისა, რ-შიც აღწერილია, თუ როგორ უღალატა ქართლის პიტიახშმა ვარსქენმა ქვეყანას, დაგმო თავისი სარწმუნოება, სპარსელთა გულის მოსაგებად მიიღო მაზდეანობა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის აწამა მეუღლე. O. C-ის შესახებ ცნობები შემოინახა მისმავე ნაწარმოებმა, საიდანაც ჩანს, რომ ის ყოფილა ვარსქენ პიტიახშის კარის მღვდელი, შუშანიკთან დაახლოებული პირი, ქართლის პიტიახშის კარზე, დაბა ცურტავში, მომხდარი ტრაგედიის თანამედროვე და მონაწილე. თხზულება დაწერილია 476—483, შუშანიკის მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ, ვახტანგ გორგასალის მიერ ვარსქენის სიკვდილით დასჯამდე. ფიქრობენ, რომ უფრო გვიან O. C. გახდა ცურტავის ეპისკოპოსი და 506 დაესწრო საეკლ. კრებას (ამ კრების მონაწილეთა შორის მოიხსენიება ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი). მისი ნაწარმოები მოღწეულია შეცვლილი სახით (უნდა აკლდეს დასაწყისი, ზოგი დეტალი ეამოტოვებულია და ა. შ.). უძველესი ხელნაწერი X საუკუნისაა. „შუშანიკის მარტვილობით“ იწყება ქართ. ლიტ-რის ისტორია და მას განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართ. კულტურისათვის.

O. C. მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. ბუნებრივი თხრობა და მოქმედების ექსპრესიული განვითარება, პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების ღრმა ფსიქოლ. ანალიზი, მხატვრული დეტალების ოსტატური დამუშავება, ცხოვრებისეული მოვლენების შეუფარავად ასახვა და მძაფრი სიტუაციების რელიეფურად წარმოჩენა, ლაკონიური სტილი და მდიდარი ლექსიკა, გმირთა მეტყველების ინდივიდუალობა და დრამ. ინტონაციებით დატვირთული დიალოგები, მაღალი ესთეტ.-ლიტ. გემოვნებითა და შემოქმედებითი ფანტაზიით შექმნილი შთამბეჭდავი სახეები თვალსაჩინოს ხდის O. C-ის ტალანტს, ხოლო მის ნაწარმოებს პირველხარისხოვან ქართ. ლიტ. ძეგლთა გვერდით მიუჩენს ადგილს. ნაწარმოების იდეური მიზანდასახულობითა და ჟანრობრივი სპეციფიკით გამოწვეული შეზღუდულობის მიუხედავად, O. C-მა პაგიოგრაფიული ტრაფარეტის ნაცვლად შექმნა მაღალმხატვრული ნაწარმოები. მწერალმა შთამომავლობას მისაბაძ მაგალითად დაუსახა თავისი გმირის სულიერი მხნეობა, შუშანიკი დაგვიხატა მტკიცე პიროვნებად, ქრისტიანობისა და ქართლის ეროვნ. ინტერესების დამცველ ქალად, რ-იც წინ აღუდგა სამშობლოს მოღალატე მეუღლის პოლიტ.-სარწმუნოებრივ ზრახვებს და ამით დაიცვა არა მხოლოდ თავისი ქალური ღირსება, არამედ სარწმუნოება და ქართლის ეროვნ.-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ნაწარმოებში მხილებულია ირანელთა აგრესიული გეგმები და ქართლის ზოგიერთი დიდებულის ანტიეროვნ. საქციელი. შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლის აღწერასთან ერთად ნაწარმოებში მოცემულია V ს. ქართლის ყოფა-ცხოვრების უტყუარი სურათები, ასახულია ქვეყნის პოლიტ.-ეკონ. და სოც. მდგომარეობა, საეკლ. ორგანიზაცია, ზნე-ჩვეულებები, კულტურული ვითარება. ამიტომ იგი შესანიშნავი ისტ. წყაროც არის. ნაწარმოების მაღალმხატვრული დონე და იდეურ-შინაარსობრივი სიღრმე საფიქრებელს ხდის, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო O. C-ის შემოქმედების ერთადერთი ნაყოფი. ეს მით უფრო სავარაუდებელია, რომ ავტორს წინასწარ განუზრახავს შუშანიკის ღვაწლის აღწერა. „შუშანიკის მარტვილობა“ ადრევე ითარგმნა სომხ. ენაზე, ამ თარგმანის გადამუშავების საფუძველზე შეიქმნა სომხ. მოკლე რედაქცია. არსებობს „შუშანიკის მარტვილობის“ მოკლე ქართ. რედაქციაც, რ-იც სომხ. მოკლე რედაქციიდანაა თარგმნილი არა უგვიანეს 940-ისა.

ძეგლი პირველად გამოსცა მ. საბინინმა (1882), ლათინურად თარგმნა პ. პეეტერსმა (1935), რუსულად — კ. კეკელიძემ (1956), ვ. დონდუამ (გამოქვეყნდა 1978), ფრანგულად — ს. წულაძემ, ინგლისურად — ე. ფულერმა, გერმანულად — ნ. ამაშუკელმა, ესპანურად — ა. მარტინესმა, უნგრულად — მ. იშტვანოვიჩმა; ინგლ. პარაფრაზი ეკუთვნის დ. ლანგს (1956). 1978 ქართვ. საზოგადოებრრიობამ ფართოდ აღნიშნა „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი. იუნესკოს გადაწყვეტილებით 1979—83 აღინიშნება „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი მსოფლიო მასშტაბით.

თხზ.: მარტვილობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1938; თბ., 1978; [წიგნში] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, თბ., 1963.

ლიტ.: ბარამიძე ა., „შუშანიკის წამების“ ახლებური გაგების გარშემო, «მნათობი», 1978, № 10; ბარამიძე რ., ქართული მწერლობის სათავეებთან, თბ., 1978; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ლენიანი შ., იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, თბ., 1978; შუშანიკის წამება. საიუბილეო კრებული. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978; ჭილაძე თ., იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, თბ., 1978; ჯაფარიძე ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *ლ. ბენნაბდე.*

იაკოვლევი ალექსანდრე სერგეის ძე [დ. 19. III (1. IV). 1906, მოსკოვი], საბჭ. ავიაკონსტრუქტორი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1976), გენ.-პ. — ინჟინერი, ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1940, 1957). სკკპ წევრი 1938-იდან. დაამთავრა მოსკ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია (1931). სსრკ საავიაციო მრეწვ. სახ. კომისრის (შემდგომ მინისტრის) მოადგილე (1940—48). საცცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს გენერალური კონსტრუქტორი (1957-იდან). შექმნა სხვადასხვა დანიშნულების თვითმფრინავები და ვერტმფრენები; საბრძოლო ავიაგამანადგურებლები (მაგ., იაკ-15, იაკკ-23), სამგზავრო ლაინერები (მაგ., იაკ-40, იაკ-42), ვერტიკალურად ასაფრენ-დაასაჯდომი თვითმფრინავი, ე. წ. „მფრინავი ვაგონი“ (იაკ-24) და სხვ.; ლენინური (1972) და სახელმწ. (1941, 1942, 1943, 1946, 1947, 1948, 1977) პრემიების ლაურეატი. სსრკ II—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, აგრეთვე სხვა ორდენებითა და მედლებით, ორი ფრანგული ორდენით.

თხზ.: Рассказы авиаконструктора, М., 1974; Советские самолеты, 2 изд., М., 1975; ცხოვრების მიზანი, მე-2 გამოც., თბ., 1969.

იაკოვლევი ვასილი ნიკოლოზის ძე [2 (14). I. 1893, მოსკოვი, — 29. VI. 11953, იქვე], რუსი საბჭ. ფერმწერი და გრაფიკოსი. რსფსრ სახ. მხატვარი (1943), სსრკ სამხატვრო აკად. წ. წ. (1947), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. სწავლობდა ვ. მეშკოვის სტუდიაში (1913—14), მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1914—17). (რევ. რუს. მხატვართა ასოციაციის წევრი (1922-იდან), საკავშ. სას.-სამ. გამოფენის (მთავარი მხატვარი (1938—39 და 1949—50). ნამუშევრები: „კოლმეურნეობის ნახიერი“ (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), „პარტიზანი“ და საბჭ. კავშირის გმირის ვ. იაკოვლევის პორტრეტი (პირველი — 1941 — 42, მეორე — 1941; სსრკ სახელმწ. პრემია, 1943, ყველა — ტრეტიაკოვის გალერეა) და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

იაკოვლევი ნიკოლოზ თეოფანეს ძე [10 (22). V. 1892, ხუტორი ბულგარინი, სარატოვის ოლქი, — 30. XII. 1974, მოსკოვი], რუსი საბჭ. ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი. სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მოსკ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1922-იდან), მოსკ. I უნ-ტსა (1927—30) და სსრკ მეცნ. აკად. ენისა და აზროვნების ინ-ტში (1936—50). მოსკოვის საე-

ნათმეცნიერო წრის ერთ-ერთი წევრი-დამფუძნებელი (1914). ი-ის მონაწილეობით გამოიცა ყაბ., ადიღ., ჩაჩნური ენების გრამატიკები. არაერთი გამოკვლევა უძღვნა აგრეთვე სხვა იბერიულ-კავკ. ენათა ფონეტ. და მორფოლ. საკითხებს. დიდ მუშაობას ეწეოდა ახ. ანბანის საკავშ. ცენტრ. კომიტეტში, რ-ის წევრიც იყო 1927-იდან. მისი შრომა „ანბანის აგების მათემატიკური ფორმულა" (1928) საფუძვლად დაედო ჩრდ. კავკ., დაღ. და სხვ. ხალხების ანბანების შექმნას (მონაწილეობდა 80-მდე ანბანის დამუშავებაში).

თხზ.: Грамматика литературного кабардино-черкесского языка, М.—Л., 1948; Морфология чеченского языка, Грозный, 1960; Таблицы фонетики кабардинского языка, М., 1923; Языки и народы Кавказа, Тфл., 1930.

ლიტ.: Концевич Л., Николай Феофанович Яковлев, «Известия АН СССР. Отд. литературы и языка», 1967, т. 26.

იაკოვლევი ნიკოლოზ კაპიტონის ძე [25. IV (7. V). 1869, რიაზანი, — 21. XII. 1950, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1944). სწავლობდა მცირე თეატრთან არსებულ დრამ. კურსებზე (1890—93). 1893-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. მცირე თეატრის მსახიობი. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია რუს. ეროვნ. ხასიათების შექმნაში. შეასრულა როლები: ტიხონი, მამაევი (ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი" და „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება"), ფიგარო (ბომარშეს „სევილიელი დალაქი" და „ფიგაროს ქორწინება"), სკაპენი (მოლიერის „სკაპენის ოინები"), ელისატოვი (ტურგენიევის „ლიუბოვ იაროვაია") და სხვ. ეწეოდა რეჟისორულ და პედაგოგიურ მუშაობას. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით.

იაკოპო დელა კვერჩა (Jacopo della Quercia) (დაახლ. 1374, სიენა, — 20. X. 1438, იქვე), იტალიელი მოქანდაკე. ადრინდ. აღორძინების წარმომადგენელი. 1401 მონაწილეობდა ფლორენციის ბაპტისტერიუმის კარის რელიეფებისათვის გამართულ კონკურსში. მუშაობდა სიენასა და ბოლონიაში, აგრეთვე ლუკასა (1406) და ფერარაში (1408). ეყრდნობოდა ნიკოლო *პიზანოს* და ჯოვანი *პიზანოს* ტრადიციებს. განიცადა XIV—XV სს. მიჯნის ჩრდ. იტალ. პლასტიკის გავლენა. ძირითადი ნამუშევრები: „მადონა" (1408, ტაძრის მუზეუმი, ფერარა), ფონტე გაიას რელიეფები და სტატუეტები (1408—19, პალაცო პუბლიკო, სიენა), ტრენტის საკურთხეველი სან-ფრედიანოს ეკლესიაში (1416—22, ლუკა) — ყველა მარმარილო; რელიეფი „ზაქარია ტაძარში" (მოოქროვილი ბრინჯაო) და წინასწარმეტყველთა ფიგურები სიენის ბაპტისტერიუმისთვის (1417—31, მარმარილო), ქანდაკება სან-პეტრონიოს ეკლესიის პორტალისათვის (ისტრიის ქვა, 1425—38, ბოლონია).

იაკოპონე და ტოდი (Jacopone da Todi) (უფრო სწორია იაკოპო ბენედეტი, Benedetti) (დაახლ. 1230, ტოდი, — უმბრია, — 25. XII. 1306, კოლაცონე), იტალიელი პოეტი. მისი პოეზია უახლოვდება ხალხ. ლათ. ლიტ-რას. ი. და ტ. მოურიდებლად ილაშქრებდა პაპის წინააღმდეგ, რისთვისაც 6 წელი ციხეში იჯდა. მისი მისტ. სიმღერები — „ლაუდები" (laude) — გამოხატავს გამძაფრებულ რელიგ. გრძნობებს, მონანიებისა და თვითგვემის სურვილს, წმინდა სიყვარულისა და ღმერთთან შერწყმის სწრაფვას, თავისებურ აპოლოგიას უწევს „წმინდა სიგიჟეს". ზოგიერთი ლაუდი დაწერილია დიალოგის ფორმით, რაც ხალხ. ენაზე შექმნილი დრამის პირველსახეობაა მიჩნეული.

ალ-ი-იაკუბი აბუ ლ-აბას აჰმად იბნ იაკუბი (გ. დაახლ. 897), არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი. იმოგზაურა სომხეთში, ინდოეთში, პალესტინასა და ეგვიპტეში. ცნობილია მისი ორი თხზულება: გეოგრ. „ქითაბ ალ-ბულდანი" („ქვეყნების წიგნი"), რ-შიაც სხვა ქვეყნებთან ერთად აღწერილია ამიერკავკასია, ჩამოთვლილია მისი მხარეები, მითითებულია მათ შორის მანძილი; მეორეა ისტ. „თარიხი" („ისტორია"). მასში აღნუსხულია არაბთა ლაშქრობანი ამიერკავკასიაში და სომხეთ-საქართველოს დაპყრობა; აგვანყებები არაბთა წინააღმდეგ სომხეთში, ქართლსა და კახეთში; თბილ. ამირას განდგომა სახალიფოსაგან და ბუღა თურქის ლაშქრობა საქართველოში (853).

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 4, М.—Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1903, в. 32.

ბ. სილაგაძე.

იაკუბ კადრი კარაოსმანოღლუ (დ. 1889, კაირო), თურქი მწერალი, ჟურნალისტი, საზ. მოღვაწე, მუშაობდა ელჩად ევრ. ქვეყნებში. ორჯერ იყო სსრკ-ში (1932, 1934). წერა დაიწყო თურქეთის 1908 რევ. შემდეგ. მისი ადრინდ. ნაწარმოებები მისტ.-პესიმ. ხასიათისაა. ავტორია რეალისტური მოთხრობებისა („ეროვნული ბრძოლის შესახებ"), რომანებისა („მოხუცი ნური", „სახლი ქირავდება", ორივე 1922; „მოწყალება", 1923; „სოდომი და გომორი", 1928; „უცხო", 1932; „ანკარა"), ავტობიოგრ. რომანებისა („პანორამა", 1950; „ძალად დიპლომატი", 1956) და სხვ.

ლიტ.: გოცირიძე ი., იაკუბ კადრის მოთხრობები, «თსუ შრომები», 1967, ტ. 116; Алькаева Л. О., Очерки по истории турецкой литературы 1908—1939 гг., М., 1959.

იაკუბოვსკი ალექსანდრე იურის ძე [20. I (1. II). 1886, პეტერბურგი, — 21. III. 1953, ლენინგრადი], საბჭ. აღმოსავლეთმცოდნე, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1943). უზბ. და ტაჯ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე. 1913 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1924 — ლენინგრ. აღმოსავლური ფაკ-ტი. 1925-იდან მუშაობდა მატერ. კულტ. ისტორიის სახელმწ. აკადემიაში (1937-იდან სსრკ მეცნ. აკად. მატერ. კულტ. ისტ. ინ-ტი), 1928-იდან (ერთდროულად) — სახელმწ. ერმიტაჟში. 1935-იდან ლენინგრადის უნ-ტის პროფესორი. 1945-იდან ხელმძღვანელობდა სოღდურ-ტაჯ. არქეოლ. ექსპედიციას. გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი შრომები შუა აზიის, კავკ., ოქროს ურდოს, წინა აზიის (არაბთა სახალიფოს, ერაყის) ისტ. შესახებ.

ლიტ.: Беленицкий А. М., Дьяконов М. М., Памяти А. Ю. Якубовского, «Краткие сообщения Ин-та истории материальной культуры», 1953, в. 51 (ახლავს ი-ის შრომების სია).

იაკუბოვსკი ივანე ივნატის ძე [25. XII. 1911 (7. I. 1912), სოფ. ზაიცევო, ახლანდ. მოგილიოვის ოლქი, — 30. XI 1976, მოსკოვი], საბჭ. სამხედრო მოღვაწე, საბჭ. კავშირის მარშალი (1967), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (10. I. 1944 და 23. IX. 1944), ჩეხოსლ. სრ გმირი (1970). სკკპ წევრი 1937-იდან. 1932-იდან საბჭ. არმიაშია. 1948 დაამთავრა გენშტაბის სამხ. აკადემია. მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის ომში (1939—40). *დიდ სამამულო ომში* (1941—45). მონაწილეობდა ბრძოლებში დას. ბრიანსკის, სამხრ. დონის, სამხრ.-დას. და უკრ. I-ლ ფრონტებზე, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში, უკრ., პოლ. და ჩეხოსლ. განთავისუფლებაში. ომის შემდეგ საპასუხისმგებლო სამეთაურო თანამდებობებზეა— 1957 ივლისიდან გერმანიაში საბჭ. ჯარების ჯგუფის მთავარსარდლის I მოადგილე, 1960 აპრილიდან — მთავარსარდალი, 1965 იანვრიდან კიევის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი, 1967 აპრილიდან სსრკ თავდაცვის მინისტრის I მოადგილე, ერთდროულად 1967 ივლისიდან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთ. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. სკკპ ცკ-ის წევრი 1961-იდან. სსრკ VI—IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 9 სხვა ორდენით და მედლებით.

ი. იაკუბოვსკი.

იაკუთი იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-რუმი ალ-ჰამავი (1179 — 20. VIII. 1229, ჰალაბი), არაბი მეცნიერი და მწერალი, ისტორიკოსი, გეოგრაფი. წარმოშობით მცირეაზიელი ბერძენი. იმოგზაურა სირიაში, ეგვიპტეში, ირანში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში, მესოპოტამიაში. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი გეოგრ. ლექსიკონი „მუჯამ ალ-ბულდანი" („ქვეყნების ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი") და ბიოგრ. „ქითაბ ირშად ალ-არიბ ილა მარიფათ ალ-ადიბ" („ლიტერატორების ლექსიკონი"). „მუჯამ ალ-ბულდანი" გეოგრ. ენციკლოპედიაა, რ-შიც ასახულია არაბული გეოგრ. და ისტ. ლიტერის მიღწევები. მოცემულია საინტერესო ცნობები ამიერკავკ. და, კერძოდ, საქართველოს შესახებ.

პუბლ.: ალ-იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ე. სიხარულიძის გამოც., ნაკ. 1, თბ., 1964.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 4, М.—Л., 1957.

ბ. სილაგაძე.

იაკუტები (საკ. სახელწ. საბა), ერი, იაკუტ. ასსრ მკვიდრი მოსახლეობა. ცალკეულ ჯგუფებად ცხოვრობენ კრასნოიარსკის მხარის ჩრდ. რ-ნებში, რსფსრ მაგადანის, სახალინის და ამურის ოლქებში. საერთო რაოდ. 296 ათ., მ. შ. იაკუტ. ასსრ-ში 286 ათ. (1970, აღწერა). ენა — იაკუტური, განეკუთვნება თურქული ენების ჩრდ.-აღმ. ჯგუფს. არქეოლ. და ეთნ. მონაცემებით, ი. ჩამოყალიბდნენ ბაიკალისპირეთიდან გადმოსახლებული სამხრ. თურქულენოვანი ტომების მიერ ადგილ. ტომების ასიმილაციის შედეგად. ვარაუდობენ, რომ ი-ის სამხრ. წინაპართა ბოლო ტალღამ შუა ლენაზე XIV—XV სს-ში შეაღწია. ზოგიერთი ლოკალური ჯგუფი, მაგ., ჩრდ.-დას. მეირმეები, შედარებით ახალია, რ-იც წარმოიქმნა ევენკების ცალკეული ჯგუფების ცენტრ. რ-ნებიდან გამოსულ იაკუტებთან შერევის შედეგად. რუსეთთან შეერთებამ (XVII ს. 20—30-იანი წწ.) დააჩქარა ი-ის სოც.-ეკონ. და კულტურული განვითარება და ცალკეული ტომების ერთმანეთთან დაახლოება. XVII—XIX სს-ში ი-ის მთავარი საქმიანობა იყო მსხვილფეხა მესაქონლეობა, მიწათმოქმედება და თევზჭერა. ხელოსნობიდან განვითარებული იყო მჭედლობა. ცხოვრობდნენ ე. წ. ბალაგანში (იურტა). XVIII ს. II ნახევარში ი-ის უმრავლესობამ ქრისტიანობა მიიღო, მაგრამ დიდხანს იყო შემორჩენილი შამანისტური რწმენა-წარმოდგენები. სოციალ. მშენებლობის პროცესში ძირფესვიანად გარდაქმნა ი-ის ეკონომიკა, ყოფა და კულტურა, ი. სოციალ. ერად ჩამოყალიბდნენ. ი-ის ისტორიის, მეურნეობისა და კულტურის შესახებ იხ. სტ. *იაკუტიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.*

იაკოპო დელა კვერჩა. ზაქარია ტაძარში. სიენის სანათლავის ემბაზის რელიეფი. 1417—28.

ИАКУТИИС АВТОНОМИУРИ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ი ა კ უ ტ ი ა, შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1922 წ. 27 აპრ. ფართ. 3103,2 ათ. კმ². მოსახლ. 839 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქში ცხოვრობს 61%. დედაქალაქი — იაკუტსკი. რესპუბლიკაში 32 რ-ნი, 10 ქალაქი და 59 დაბაა.

იაკუტ. ასსრ—სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფოა. მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია იაკუტ. ასსრ-ის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიაზე 1978 წ. 31 მაისს. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო, რ-იც ირჩევს თავის მუდმივმოქმედ ორგანოს — იაკუტ. ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლეს საბჭოს მოსახლ. 5 წლით ირჩევს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო — მთავრობა, რ-საც ქმნის ავტონ. უმაღლესი საბჭო. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია: სარაიონო, საქალაქო, სადაბო, სასოფლო-დასახლებული პუნქტების შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რ-ებსაც მოსახლ. ორნახევარი წლით ირჩევს.

ბუნება. ი. მდებარეობს ციმბირის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. აკრავს ლაპტევებისა და აღმ. ციმბირის ზღვები. მის შემადგენლობაშია აგრეთვე ახალი ციმბირის კ-ები. ტერიტ. 40% პოლარული წრის ჩრდ-ითაა. ზედაპირის 2/3 ვრცელ მთათა სისტემებსა და ზეგნებს უკავია, რ-თაგან მთავარია ვერხოიანსკის, ჩერსკის ქედები. ამ ქედებს შორის იანა-ოიმიაკონის მთიანეთია. ჩრდ-ით და ცენტრში გადაჭიმულია ვრცელი დაბლობები: ჩრდილო ციმბირის, იანა-ინდიგირკის, კოლიმისა და ცენტრ. იაკუტიის.

ი. მდიდარია სხვადასხვა წიაღისეულით. მნიშვნელოვანია ალმასის, ოქროს, ქარსის, კალის, ვოლფრამის, პოლიმეტალების, რკინის მადნებისა და ქვანახშირის საბადოები. აღმოჩენილია ბუნებრივი აირის სამრეწვ. საბადოები.

ი. ჩრდ. ნახევარსფეროს ყველაზე ცივი რ-ნია. ის მთლიანად შედის მარადმზრალობის ზონაში. აქ მდებარეობს სიცივის პოლუსი (ვერხოიანსკი—ოიმიაკონი). ჰავა მკვეთრად კონტინენტურია. ზამთარი ხანგრძლივია, ძლიერ ყინვიანი, ზაფხული — ხანმოკლე და თბილი. იანვ. საშ. ტემპ-რაა —34,—50°C, ივნ. 18—19°C. ნალექები 140—280 *მმ* წელიწადში, ხოლო სამხრ-ით და სამხრ.-დას-ით — 400—600 *მმ*-მდე. ხშირია გვალვა.

მთავარი მდ-ებია: ლენა (შენაკადები—ალდანი, ვილიუი, ოლიოკმა), ანაბარი, ოლენიოკი, იანა, ინდიგირკა, ალაზეა და კოლიმა. ყველა მდინარე წყალუხვია და სანაოსნოა. არის ბევრი ტბა, ძირითადად თერმოკარსტული წარმოშობისა. ი-ის უმეტეს ნაწილში ტაიგის მზრალი ნიადაგია გავრცელებული. ტერიტ. 80% ტაიგის ზონაში შედის. ჭარბობს დაურიის ლარიქსი, ფიჭვი, აგრეთვე ნაძვი, სოჭი, არყი და სხვ.



მოსახლეობა. Ი-ში ცხოვრობენ იაკუტები, რუსები, ევენები, ევენკები, ჩუქჩები და სხვ. მოსახლ. სწრაფად იზრდება (1940 წ. — 414 ათ., 1979 წ. — 839 ათ. კაცი). საშ. სიმჭიდროვე —0,3 კაცი 1 *კმ*²-ზე. მთავარი ქ-ებია: იაკუტსკი (152 ათ., 1979), მირნი, ალდანი, ვერხოიანსკი, ლენსკი და სხვ.

ისტორიული ნარკვევი. ადამიანის უძველესი კვალი (მდ. ლენის შუაწელზე) განეკუთვნება ზედა პალეოლითის (ძვ. წ. XX—X ათასწლ.). ნეოლითის ხანაში (ძვ. წ. III—II ათასწლ.) მოსახლ. შეინიშნება მდ. ლენის მთელი დინების გასწვრივ. ბრინჯაოს ეპოქაში (ძვ. წ. II—I ათასწლ. დასაწყ.) დადასტურებულია სამარხები და ნამოსახლარები. ახ. წ. I ათასწლ. დასაწყისში Ი-ში მისდევდნენ რკინის დამუშავებას. მოსახლ. ძირითად საქმიანობად რჩებოდა ნადირობა და თევზჭერა. ახ. წ. პირველ საუკუნეებში Ი-ში აზიიდან მოვიდნენ ტუნგუსები და განვითარდა მეირმეობა. X—XVI სს-ში Ი-ის ტერიტორიაზე სახლდებოდნენ დღევანდელი იაკუტების წინაპრები — ბაიკალისპირელი მესაქონლე თურქ. ტომები, რ-თაც თანდათან შეერწყა ადგილ. მოსახლეობა.

1630-იან წლებში Ი. შეუერთდა რუს. სახელმწიფოს. 1632 მდ. ლენის მარჯვ. ნაპირას დაარსდა იაკუტიის სიმაგრე (იაკუტსკი), რ-იც 40-იანი წლებიდან ამ მხარის ცენტრი გახდა. რუსეთთან შეერთებამ, ცარიზმის კოლონ. პოლიტიკის მიუხედავად, დააჩქარა Ი-ის სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარება.

იაკუტებში თანდათან გავრცელდა ქრისტიანობა, თუმცა წარმართული რწმენები XX ს-მდე იყო შემორჩენილი. რუს. ანბანის საფუძველზე 1870-იან წლებში შეიქმნა იაკუტ. დამწერლობა.

XIX ს. II ნახევრიდან Ი-ში ჩაისახა კაპიტალ. ურთიერთობის ელემენტები, რაც დაჩქარა Ი-ის ოქროს საბადოების აღმოჩენამ. გაჩნდა აგურის, ხე-ტყის, ტყავის და სხვ. საწარმოები და სახელოსნოები. განვითარდა ვაჭრობა, რ-საც მისდევდნენ რუსები და იაკუტები. გამოიყო შეძლებული ფენა — კულაკობა. კაპიტალ. ურთიერთობის განვითარება დააჩქარა ციმბირის რკინიგზის გაყვანამ და მდ. ლენაზე ნაოსნობის დაწყებამ.

Ი. იყო ცარიზმის პოლიტ. მოწინააღმდეგეთა გადასახლების ადგილი. გადასახლებულნი ხელს უწყობდნენ იაკუტთა კულტ. და პოლიტ. განვითარებას, ეწეოდნენ განმანათლებლურ მუშაობას. 1902 Ი-ის რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა შორის წარმოიქმნა არალეგალური პოლიტ. წრე, რ-ის წევრები ეცნობოდნენ მარქსისტულ ლიტ-რას. 1906 შეიქმნა Ი-ის არალეგალური ს.-დ. ორგანიზაცია. 1917 მარტში გადასახლებული ბოლშევიკების გ. ორჯონიკიძის, ე. იაროსლავსკის, გ. პეტროვსკისა და სხვათა ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა რსდმპ-ის იაკუტიის კომიტეტი, მაისში კი—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების გაერთ. საბჭო (თავრე ე. იაროსლავსკი). 1918 წ. 1 ივლ. წითელი არმიის დახმარებით Ი-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა. აგვ-ში იაკუტსკი დაიპყრეს კოლჩაკის თეთრგვარდიელთა ჯარებმა. 1919 წ. 15 დეკ. ღამით იაკუტსკში მოხდა მუშებისა და რევ. ჯარისკაცების აჯანყება. 1920 ივნ. იაკუტსკში ჩამოვიდა პარტ., საბჭ. და სამეურნეო მუშაკთა ჯგუფი, რ-იც რკპ(ბ) ცკ-ის მითითებით გაგზავნა რკპ (ბ) ციმბირის ბიურომ. არჩეულ იქნა რკპ(ბ) Ი-ის ოლქის ორგბიურო. 1920—22 ჩატარდა ბანკის, სავაჭრო ფირმების, საწარმოების, მიწის ნაციონალიზაცია, საეკლ. და სახაზინო მიწების კონფისკაცია (მემამულური მიწისმფლობელობა Ი-ში არ იყო).

1921 დასასრ. Ი-ში მოხდა თეთრგვარდიულ-კულაკური ამბოხება. 1922 მარტში ამბოხებულებმა შექმნეს „იაკუტიის დროებითი საოლქო მმართველობა", რ-მაც დახმარებისათვის მიმართა ხარბინში მყოფ რუს. თეთრემიგრანტებს. მალე ჩამოყალიბდა „ციმბირის მოხალისეთა რაზმი" გენ. ა. პეპელიაევის მეთაურობით, რ-იც 1922 აგვ. ვლადივოსტოკიდან Ი-ში გაეგზავნა. მაგრამ რაზმი გზაშივე გაანადგურეს და მან ვერ შეძლო იაკუტსკის აღება. 1923 ივლ. ნავსადგურ აიანში რაზმის გადარჩენილი ნაწილი ტყვედ ჩაბარდა.

1922 წ. 27 აპრ. სრულიად რუს. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა იაკუტ. ასსრ რსფსრ-ის შემადგენლობაში. 27 დეკ. შეიკრიბა სრულიად იაკუტ. საბჭოების I დამფუძნებელი ყრილობა, რ-მაც აირჩია ცაკი და სახკომსაბჭო. 1924 მიიღეს იაკუტ. ასსრ-ის I კონსტიტუცია. ომამდელი ხუთწლედების მანძილზე (1929—40) Ი-ის ხალხი მეურნ. პატრიარქალურ-ფეოდ. ფორმებიდან, კაპიტალიზმის გაუვლელად, პირდაპირ გადავიდა სოციალიზმში.

დიდი სამამულო ომის დროს 50 ათ. იაკუტი იბრძოდა ფრონტებზე, 13 მათგანს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება, 3 ათ. დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. 1957 რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1972 — ოქტომბრის რევოლუციის, ხოლო 1974 — ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

სახალხო მეურნეობა. Ი-ის ეკონომიკაში მთავარი ადგილი უჭირავს სწრაფად განვითარებად მრეწველობას. წამყვანია სამთომოპოვებითი მრეწვ., განვითარებულია ტყის, გემთსაშენი, საშენ მასალათა მრეწვ., ელექტროენერგეტიკა, თევზჭერა და ბეწვეულის რეწვა. სოფ. მეურნეობაში მთავარია მეცხოველეობა და მარცვლეული კულტურების მოყვანა.

მრეწვ. საერთო პროდუქციის მოცულობა 1940-იდან 1977-მდე 30-ჯერ გაიზარდა. სამთომოპოვებით მრეწველობაში წამყვანია ალმასის (მირნი, აიხალი), ოქროს (ალდანისა და ინდიგირკის რ-ნები), კალის (ესე-ხაია, დეპუტატსკი), ქარსის (ალდანის მიდამოები), მარილის (კემპენდიაი) მოპოვება. იღებენ ქვანახშირს (სანგარი, ჯებარიკი-ხაია, კანგალასი, ზირიანკა, ჩულმანი და სხვ.). დაიწყო ბუნებრივი აირის უსტ-ვილიუისკის საბადოს ექსპლუატაცია. Ი-ის ენერგეტიკა ემყარება ადგილ. ქვანახშირს და შემოტანილ ნავთობპროდუქტებს. უდიდესი ელექტროსადგურებია: იაკუტსკის, ხულმანის, ინდიგირკის, ვილიუის. Ი-ში ხე-ტყის დიდი მარაგია. ხე-ტყის სახერხი და ხის დასამუშ. მრეწვ. განვითარებულია იაკუტსკისა და ლენის რ-ნებში, საშენ მასალათა წარმოება — პოკროვსკსა და ბესტიახში. კვების მრეწვ. (სახორცე-სარძევე) განვითარებულია Ი-ის რ-ნულ ცენტრებში, თევზის მრეწვ. — ძირითადად ლენისა და იანის ქვემოთში. ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, პოლიგრ. საწარმოებია იაკუტსკსა და ალდანში.

1977 ნათესი ფართ. შეადგენდა 94,8 ათ. ჰა; მარცვლის მთლიანი მოსავალი — 41,3 ათ. ტ, კარტოფილისა — 73,5 ათ. ტ, ბოსტნეულისა — 15,9 ათ. ტ. მეცხოველეობა სახორცე-სარძევე მიმართულებისაა (1978, ათ.): მსხვ. რქ. საქონელი — 390,7, მ. შ. ძროხა — 151,0; ღორი — 26,8, ცხენი — 168,7, ირემი — 379,2, 876,0 ათ. ფრთა ფრინველი. წარმოებს ბეწვეულის რეწვა.

ძირითადად განვითარებულია ნაოსნობა. წყლის გზების საერთო სიგრძე 17 ათ. *კმ* (1976). სანაოსნოა ყველა დიდი მდინარე. აშენდა ბამ-ის ერთ-ერთი სარკინიგზო ხაზი ტინდა—ბერკაკიტი. იაკუტსკი უკავშირდება ავიახაზებით მოსკოვს, ირკუტსკს, მაგადანს და აგრეთვე რესპ. შორეულ რ-ნებს.

სახალხო განათლება. 1978 წ. 919 სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 69 ათ. აღსაზრდელი, Ი-ის 642 ზოგადსაგანმან. სკოლაში სწავლობდა 175 ათ. მოსწ. 12 სკოლა-ინტერნატში იყო 2,9 ათ. მოსწ., მუშაობდა 35 სკოლისგარეშე დაწესებულება. 24 პროფტექ. სასწავლებელში— 6,5 ათ. მოსწ. 18 საშ. სპეც. სასწავლებელში—10,7 ათ. მოსწ.; *იაკუტსკის უნივერსიტეტში* სწავლობდა 6,6 ათ. სტუდენტი.

Ი-ში არის სსრკ მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის იაკუტიის ფილიალი (იაკუტსკში), რ-შიც შედის: გეოლ., ჩრდ-ის ფიზ.-ტექ. პრობლემების, კოსმოფიზ. და აერონომიის, ინ-ტები, ბიოლ. ინ-ტი ბოტან. ბაღით, აგრეთვე ეკონ., გამოყენებითი მათ. და გამოთვლითი ტექ., ბუნების დაცვის განყ-ბები; იაკუტსკში არის სსრკ-ის მეცნ. აკად. ციმბ. განყ-ბის მზრალთმცოდნეობის ინ-ტი (ერთადერთი სსრ კავშირში), - დიდი მოცულობის სამეცნ.-კვლ. მუშაობა ტარდება სამხრ. Ი-ის ბაიკალ-ამურის მაგისტრალის რ-ნის ბუნებრივი რესურსების შესასწავლად.

1978 Ი-ში მუშაობდა 591 მასობრივი ბ-კა, 689 საკლუბო დაწესებულება, 829 კინოდანადგარი, 8 მუზეუმი, 4 თეატრი. გამოდის რამდენიმე გაზეთი, რადიო- და ტელეგადაცემები მიმდინარეობს რუს. და იაკუტ. ენებზე.

ლიტერატურა. Ი-ის წერილობითი ლიტრა აღმოცენდა ჟანრობრივად მრავალფეროვანი ფოლკლორის ნიადაგზე. Ი-ის ლიტ-რის პირველი თაობის წარმომადგენლები პ. ოიუნსკი (1893—1939), კ. ურასტიროვი (დ. 1907), ე. ერისტინი (1892—1942) თვითონ ასრულებდნენ „*ოლონხოს*" — მონუმ. ხალხ. თქმულებას დეკვგმირებზე. წერილობითი ლიტ-რის გაჩენა 1905—07 რევოლუციასთან არის დაკავშირებული. მის საწყისებთან დგანან მწერალ-განმანათლებლები ა. კულაკოვსკი (1877—1926), ა. სოფრონოვი (1886—1935), ნ. ნეუსტროევი (1895—1929).

რუს. ლიტ-რის გავლენით ჩაისახა მრავალი ახ. ჟანრი და სტილი. Ი-ის ლიტ-რაში რეალიზმი რევოლუციამდე ჩამოყალიბდა, XX ს. 20-იან წლებში დასტურდება კრიტ. რეალიზმი (კულაკოვსკის სოც.-ფილოს. პოემა „მოგვის სიზმარი", 1910 და სხვ.), ხოლო 30-იან წლებში დამკვიდრდა სოციალ. რეალიზმი. სამამულო ომის დროს გამოქვეყნდა პირველი იაკუტ. რომანი — ე. ერისტინის „მარიქჩანის ახალგაზრდობა" (1942). 50-იან წლებში დაიწყო Ი-ის ლიტ-რის განვითარების ახ. ეტაპი (ახ. ფორმების ძიება, ახ. ჟანრების შეთვისება). 60-იანი წწ. აღინიშნება ეპიკური პოეზიის აღმავლობით. შეიქმნა სოც.-ფსიქოლ. რომანები მორალურ-ეთიკურ პრობლემებზე. გაფართოვდა მთარგმნელობითი მუშაობა, მოძმე ლიტ-რებთან კავშირი. Ი-ში იქმნება აგრეთვე ლიტ-რა რუს., ევენურ, ევენკურ და იუკაგირულ ენებზე.

ხელოვნება. იაკუტების საცხოვრებელს საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა გეგმით სწორკუთხა ხის იურტა ანუ ბალაგანი

იაკუტიის ასსრ. საბჭოთა მეურნეობა „აბიისკის" ნადირთმოსაშენებელი ფერმა.

იაკუტიის ასსრ. ირმები.

იალაპა.

იალბუზი.

„ბუორჯიე". მის კონსტრუქციას საფუძვლად ედო მიწაში ჩარჭობილ ბოძებზე დადგმული, მორებისაგან შეკრული ხის ჩარჩო, რ-საც ეყრდნობოდა კედლები და სახურავი. ჩრ-დის მხრიდან მიშენებული ჰქონდა ბოსელი. XIX ს-იდან გავრცელდა ჯარგვალის ტიპის ქოხები. რუსეთთან მეგობრების შემდეგ ᲘᲐ-ში აღმოცენდა ქ-ები: იაკუტსკი, ვილიუისკი, ვერხოიანსკი და სხვ. საბჭ. პერიოდში განახლდა ძვ. ქ-ები, განაშენიანდა ახლები (ალდანი, ლენსკი, მირნი, ნერიუნგრი). ნიადაგის მრავალწლიანი მზრალობის გამო შენობებს აგებენ ხიმინჯებზე აგურითა და რკინა-ბეტონით. ᲘᲐ-ში მუშაობენ ადგილ. არქიტექტორები: ი. სმოლკოვი, ნ. სუხანოვი, დ. საკინოვი, ვ. პეტროვი, ვ. ბეკეტოვი.

ᲘᲐ-ის სახვითი ხელოვნებაში შეხამებულია თურქ.-მონღოლური და ჩრდ. პალეოაზიელების კულტ. ელემენტები. ძველთაგანვე მისდევენ ხის ნაკეთობათა დამზადებას, ქარგვას, საიუველირო საქმეს, ხოლო XVIII ს-იდან — მამონტის ძვლებისგან ნივთების კვეთას. საბჭ. პერიოდში ვითარდება პროფ. სახვითი ხელოვნება. ფუძემდებლად ითვლება ი. პოპოვი. ᲘᲐ-ში მუშაობენ მხატვრები, რ-თაც განათლება საბჭ. კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლებში მიიღეს: ფერმწერი და გრაფიკოსი პ. რომანოვი, თეატრის მხატვარი გ. ტურალისოვი, გრაფიკოსები ე. სივცევი, ა. მუხნალოვი, ვ. კარამზინი. პორტრეტულ ქანდაკებაში მუშაობს ს. ეგოროვი. ძვალზე კვეთაში ყურადღებას იქცევს უფროსი თაობის ლ. ნიკიფოროვის, ვ. პოპოვის, დ. ილინისა და სხვათა ნამუშევრები. პორტრეტულ ბარელიეფებს ძვალზე ქმნის ა. ფიოდოროვი. 1976 ძვალზე კვეთის ოსტატებს ტ. ამოსოვს, ს. პესტერევს, ს. პეტროვს შემოქმედებითი მიღწევებისათვის მიენიჭათ ი. რეპინის სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია.

იაკუტების ხალხ. შემოქმედებაში სიმღერის 2 ტიპია — გაბმული (იმპროვიზებული) და განზომილი (კუპლეტური). პირველს განეკუთვნება ეროვნ. ეპოსის — „ოლონხოს" ძირითადი ეპიზოდები და ზოგიერთი თანამედროვე ეპიკურ-პატრ. სიმღერა (ტოიუკი). მეორე ტიპი მოიცავს ლირ., საცეკვაო და ე. წ. სასისმიერ სიმღერებს, რ-იც ენის ტკაცუნით სრულდება. პოპულარულია საფერხულო ცეკვა ოსუოხაი. მუს. საკრავებია: ხომუსი (ეარგანი) და თვითნაკეთი ვიოლინო, შამანებში გვხვდება დაირა. 1917-მდე იაკუტ. მელოდიის ჩაწერას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. საბჭ. პერიოდში შემკრებლობით მოღვაწეობას ეწეოდნენ იაკუტ. მუსიკოსები ა. სკრიაბინი, ფ. კორნილოვი, მ. ჟირკოვი. რუსმა კომპოზიტორებმა ნ. პეიკომ, ნ. ბაჟოვმა, დ. სალიმან-ვლადიმიროვმა და სხვ. შექმნეს სიმფ. და კამერული ნაწარმოებები იაკუტ. თემებზე. იაკუტ. ოპერები და ბალეტები დაწერეს გ. ლიტინსკიმ, მ. ჟირკოვმა, გ. კომრაკოვმა და სხვ. ᲘᲐ-ში მუშაობს მუს. თეატრი (1971 გამოეყო დრამ. თეატრს), სიმფ. ორკესტრი და რადიოს გუნდი, მუს. სასწავლებელი, ხალხ. შემოქმედების სახლი, მუს. სკოლები, მუს. თვითმოქმედი კოლექტივები.

1905—07-იდან ᲘᲐ-ში დგამდნენ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებს. 1925 რუს. სახელმწ. თეატრთან (დაარსდა 1920) ჩამოყალიბდა პირველი იაკუტ. თეატრ. დასი, რ-იც შემდეგ დამოუკიდებელ თეატრად გადაკეთდა. ᲘᲐ-ში მუშაობს პ. ოიუნსკის სახ. იაკუტ. სახელმწ. მუს.-დრამ. თეატრი და 19 სახალხო თეატრი. ᲘᲐ-ის თეატრის თვალსაჩინო მოღვაწენი არიან: სსრკ სახ. არტისტები ვ. მესტნიკოვი და დ. ხოდულოვი, რსფსრ სახ. არტისტები ს. გრიგორიევი, ნ. რეშეტნიკოვი, მ. სლეფცოვი და, იაკუტ. ასსრ სახ. არტისტები ა. ეფრემოვი, გ. კოლესოვი და სხვ.

ლიტ.: История Якутской АССР, т. 1—3, М.—Л., 1955—63; Кондратьев С. А., Якутская народная песня, М., 1963; Морозова Т. Г., Экономическая география Сибири, М., 1975; Новые горизонты якутской литературы. Сб. ст., Якутск, 1976; Потапов И. А., Изобразительное искусство Советской Якутии, Л., 1960; Природные ресурсы Якутии, их использование и охрана, Якутск, 1976; Протодьяконов В., Алексеев Н., Писатели Якутии. Краткий библиографический справочник, Якутск, 1972.

ᲘᲐᲙᲣᲢᲡᲙᲘ, იაკუტიის ასსრ დედაქალაქი, ნავსადგური მდ. ლენის ნაპირზე. რკინიგზას (სადგ. ბერკაკიტი) უკავშირდება ამურ—იაკუტსკის საავტ. მაგისტრალით. 152 ათ. მცხ. (1979; 1939 წ. — 53 ათ., 1959 წ. — 74 ათ., 1970 წ. — 108 ათ.). ᲘᲐ. დაარსა 1632 ენისეის კაზაკთა რაზმმა. XVII ს. 80-იან წლებში გადაიქცა ჩრდ.-აღმ. ციმბირის სამხ.-აღმ. და სავაჭრო ცენტრად და რუს. კოლონიზაციის საყრდენ პუნქტად შორეულ აღმში. 1708-იდან შედიოდა ციმბ., XVIII ს. ბოლოდან — ირკუტსკის გუბერნიაში. ᲘᲐ-ში ასახლებდნენ პოლიტ. პატიმრებს. გადასახლებულთა შორის იყვნენ დეკაბრისტები [ა. ბესტუჟევი (მარლინსკი), ზ. ჩერნიშოვი და სხვ.], ხალხოსნები, ბოლშევიკები (სერგო ორჯონიკიძე, გ. პეტროვსკი, ე. იაროსლავსკი და სხვ.). 1904 წ. 18 თებ. 56 შეიარაღებული პოლიტ. გადასახლებული, რ-თა შორის იყვნენ ბოლშევიკები (კურნატოვსკი და სხვ.), მენშევიკები, ბუნდელები, ჩაიკეტნენ ერთ სახლში, აღმართეს წითელი დროშა და გუბერნატორს პირობების გაუმჯობესება მოსთხოვეს. პოლიციამ და ჯარმა სროლა აუტეხა მათ და ერთი მათგანი მოკლა, 7 მარტს აჯანყებულები პოლიციას დანებდნენ. ყველა აჯანყებულს კატორღა მიუსაჯეს. ეს აქტი ცნობილია „იაკუტსკის პროტესტის" სახელით. 1918 წ. 1 ივლ. ᲘᲐ-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა. აგვში აიღეს თეთრგვარდიელებმა, 1919 წ. 15 დეკ. კვლავ აღდგა საბჭ. ხელისუფლება.

ᲘᲐ. იაკუტიის სამრეწვ. და კულტ. ცენტრია. არის გემთსარემონტო, რძის, თევზის, ლუდის, ლიქიორ-არაყის ქ-ნები, ხორცკომბინატი. გაერთიანება „კვებმრეწვი", მეფრინველეობის, სამკერვალო, ავეჯის, სუვენირების ფ-კები, საშენ მასალათა და ტყავფეხსაცმლის კომბინატები. უნ-ტი, კავშირგაბმ., ელექტრო, სას.-სამ., საფინანსო, კოოპ. ტექნიკუმები, სამდ., სამედ., 2 პედ., მუს. და სამხატვრო სასწავლებლები, სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის ფილიალი და მზრალმცოდნეობის ინ-ტი. მხარეთმცოდნეობის და სახვითი ხელოვნ. მუზეუმები, 3 თეატრი, ტელეცენტრი.

ᲘᲐᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ, დაარსდა 1956 ქ. იაკუტსკში პედ. ინ-ტის ბაზაზე. 1978 იყო ისტ.-ფილოლ., უცხო ენების, ფიზ., მათ., ბიოლ.-გეოგრ., სამედ., საინჟინრო-ტექ., სას.-სამ. ფაკ-ტები, საღამოს, დაუსწრებელი სწავლების და მოსამზადებელი განყ-ბები; სწავლობდა 6,6 ათასზე მეტი სტუდენტი; მუშაობდა 482 პროფესორ-მასწავლებელი; უნ-ტს აქვს ასპირანტურა, 48 კათედრა, 88 ლაბორატორია, ბ-კა (440 ათ. ტ.).

ᲘᲐᲙᲣᲢᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, განეკუთვნება თურქული ენების ჩრდილოურ (ციმბირულ) ჯგუფს. გავრცელებულია რსფსრ იაკუტ. ასსრ-ში, კრასნოიარსკისა და ხაბაროვსკის მხარეებში, ამურის, ირკუტსკის, მაგადანის, ჩიტის ოლქებში. ᲘᲐ. Ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 300 ათ. კაცი (1970). ᲘᲐ. Ე-ის ფონეტ. სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა თურქ. ენებისაგან, ხოლო გრამატ. წყობა დიდ სიახლოვეს ავლენს ძვ. და თანამედროვე სამხრეთულ თურქ. ენებთან. ᲘᲐ. Ე-ში არაა ნათ. ბრუნვა (დეტერმინაცია მორფოლოგიურად არაა გაფორმებული). ლექსიკაში მრავლადაა ნასესხები სიტყვები, განსაკუთრებით — მონღოლურიდან. ᲘᲐ. Ე. სამწერლობო ენაა; თავდაპირველად ეფუძნებოდა რუს. გრაფიკას, 1929—39 — ლათინურს, 1939-იდან ისევ რუს. ანბანს იყენებენ.

ლიტ.: Убрятова Е. И., Якутский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 2, М., 1966.

ᲘᲐᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘ ივანე დიმიტრის ძე (1793—1857), რუსი რევოლუციონერი, დეკაბრისტი. მოსკოვის უნ-ტის დამთავრების (1811) შემდეგ მსახურობდა ლაიბ-გვარდიის სემიონოვსკოეს პოლკში, მონაწილეობდა 1812 სამამულო ომში და 1813—14 საზღვარგარეთის ლაშქრობაში. 1818 გადადგა და გადასახლდა საკუთარ მამულში, სმოლენსკის გუბერნიაში. 1819 სცადა თავისი გლეხების გათავისუფლება უმიწოდ, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. იყო დეკაბრისტთა ფარული ორგანიზაციის „ხსნის კავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი. 1817 თავს იდო ალექსანდრე I-ის მოკვლა, მაგრამ, როცა ეს წინადადება უარყვეს, „კავშირდან" გამოვიდა. დეკაბრისტთა პროცესზე სიკვდილი მიუსაჯეს, რაც 20 წლის კატორღით შეუცვალეს (შემდეგ კი 10 წლამდე შეუმცირეს). კატორღის შემდეგ გადასახლებული იყო ტობოლსკის გუბერნიაში, სადაც მასწავლებლობდა და სამეცნ. მუშაობას ეწეოდა (მეტეოროლოგიასა და ბოტანიკაში). 1856 აპნისტიით გაათავისუფლეს.

ᲘᲐᲚᲐᲞᲐ (Exogonium purga, Ipomoea jalapa), მრავალწლოვანი ხვიარა ბალახოვანი მცენარე ხვართქლასებრთა ოჯახისა. აქვს დიდი წითელი ყვავილები. ფესვისეული გორგლი შეიცავს სახამებელს, შაქრებს, საღებავ ნივთიერებებსა და ე. წ. ᲘᲐ-ის ფისს (5—20%). ფესვისეულ გორგლებს და ფისს იყენებენ საფაღარათო საშუალებად. ᲘᲐ. ველურად იზრდება მექსიკაში; კულტივირებულია ცენტრ. ამერიკაში, ვესტინდოეთში, აფრიკაში, ინდოეთში, კ. იამაიკაზე და კ. ცეილონზე. სსრკ-ში მისი მოშენება შესაძლებელია სამხრ. რ-ნებში.

ᲘᲐᲚᲐᲚᲘ, მთის საზაფხულო *საძოვარი.*

ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘ, კავკასიონის ქედის უმაღლესი მწვერვალი. მთის მასივი აღმართულია გვერდით ქედზე და წარმოადგენს ანდეზიტური ლავებით აგებული ჩამქრალი ვულკანის ორმწვერვალიან კონუსს. დას. მწვერვალის სიმაღლეა 5642 *მ,* აღმ-ისა — 5595 *მ.* გამყინვარების ფართ. 138,5 *კმ².* ალპინიზმისა და ტურიზმის ცენტრი.

ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘ, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (არცევის სოფსაბჭო). ხარულის ქედის მთისწინეთში. ზ. დ. 1000 *მ,* ცხინვალიდან 29 *კმ.* არცევის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. არცევში (1 *კმ*).

ᲘᲐᲚᲜᲝᲡ ᲥᲔᲓᲘ, კავკასიონის სისტემასთან (ქართლის ქედთან) დაკავშირებული საშუალო სიმაღლის განედური ქედი გარე კახეთში, საგურამოს ქედის აღმ. გაგრძელება. იგივე ძვ. „აკრიანის მთები" (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „იალონი"). სიგრძე 18 *კმ.* უმაღლესი პუნქტი მ. იალნო (1874 *მ*). აგებულია ნეოგენური ნალექი ქანებით (კონგლომერატებით, ქვიშაქვებით, თიხებით). საგუ-



იაკუტსკი. იაკუტიის ასსრ მინისტრთა საბჭოს შენობა ვ. ი. ლენინის ბოლდანზე.

ჩამოს ქედთან შეერთების ადგილზე გადაკვეთილია თბილისი—თიანეთის საავტ. გზატკეცილით. წარმოადგენს წყალგამყოფს, ერთი მხრივ, მდ-ების თეზმისა (არაგვის მარცხ. შენაკადი) და გორანის (ივრის მარჯვ. შენაკადი) და, მეორე მხრივ, ზდ-ების ნორიოსხევის, მარტყოფისხევის და საცხენისისხევისას. კალთები შემოსილია მუხნარით, მუხნარ-რცხილნარითა და წიფლნარით. თხემზე მეორეული სუბალპ. მდელოებია. *ლ. მარუაშვილი.*

იალოილუთეფეს კულტურა, იხ. *ალაზან-იალოილუთეფეს კულტურა.*

იალომიცა (Jalomiţa), ჟუდეცი სამხრ.-აღმ. რუმინეთში. ფართ. 6,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 372,7 ათ. კაცი (1977). ადმ. ც. — ქ. სლობოზია. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს ქვემო დუნაის ვაკეს. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, თამბაქო. განვითარებულია მებოსტნეობა. სახორცე მიმართულების მეცხოველეობა. კვების, სამკერვალო, ქიმ., მანქანათსაშ. მრეწველობა.

იალტა, ქალაქი უკრ. სსრ ყირიმის ოლქში, ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე. ზღვისპირა კლიმ. კურორტი, ყირიმის სამხრ. სანაპიროს კურორტების ცენტრი. რკინიგზის სადგ. სიმფეროპოლიდან 79 *კმ* (უკავშირდება ტროლეიბუსის ხაზითაც). 77 ათ. მცხ. (1977). ქალაქი ამფითეატრივითაა შეფენილი ყირიმის მთების სამხრ. კალთებზე. ჰავა — თბილი, ზომიერად ტენიანი, ხმელთაშუა ზღვის ტიპისა; იცის ძალიან თბილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 23°C), რბილი ზამთარი (თებ. საშ. ტემპ-რა 2°C); ნალექები 700 *მმ* წელიწადში. სამკურნ. საშუალებები: კლიმატოთერაპია, მზით მკურნალობა, ზღვაში ბანაობა, შემოდგომაზე—ყურძნით მკურნალობა. სამედ. ჩვენება: სუნთქვის ორგანოების არატუბერკულოზური, ნერვული სისტემის ფუნქციური, გულ-სისხლძარღვთა და თირკმლის დაავადებანი. სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საკურორტო პოლიკლინიკა, ზღვის აბაზანების მისაღები შენობა და სხვ. სეზონი — მთელი წელი, საბანაო სეზონი — ივნის-ოქტომბერი. ტურიზმის ცენტრი.

ცნობილია 1145-იდან ჯალიტის სახელწოდებით. 1945 წ. 4—12 თებ. ი-ში ჩატარდა სსრკ-ის, აშშ-ისა და ინგლისის მთავრობების მეთაურთა კონფერენცია (იხ: *ყირიმის კონფერენცია 1945*).

ი-ში არის საფერმენტაციო, რძის, ლუდის ქ-ნები, საწარმოო-აგრ. გაერთიანება „მასანდრა", თევზკომბინატი, ასფალტ-ბეტონის ქ-ნა. მეევნახეობა-მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. საკავშ. ინ-ტი, საბჭ. ვაჭრობის ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები: 2 თეატრი, ყირიმის ფილარმონიის განყ-ბა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ა. ჩეხოვის სახლ-მუზეუმი. ბოტან. ბაღი.

იალტის კონფერენცია 1945, იხ. *ყირიმის კონფერენცია 1945.*

იალუტოროვსკი, ქალაქი რსფსრ ტიუმენის ოლქში, მდ. ტობოლის (ირტიშის შენაკადი) ნაპირზე. იალუტოროვსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. სარძეო-საკონსერვო და ხე-ტყის სახერხი ქ-ნები, წისქვილ- და ხორცკომბინატები, ავეჯის ფ-კა. საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი, სახალხო თეატრი. დეკაბრისტების მუზეუმი.

იალუძიანი (კორ. ამნოკანი), მდინარე აღმ. აზიაში, ჩინეთისა და კორ. სდრ სა.ზღვარზე. სიგრძე 813 *კმ*, აუზის ფართ. 63 ათ. *კმ*². სათავე აქვს ბაითოუშანის ჭულკანის კალთებზე. ერთვის ყვითელი ზღვის დასავლეთ კორეის ყურეს. ძირითადად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის ზაფხულში. ზამთარში იყინება. ქვემო დინებაში წყლის საშ. ხარჯი დაახლ. 900 *მ*³/*წმ*; აქვეა წყალსაცავები და ჰესები. ი-ის ნაპირებზე არის ქ-ები ანდუნი (ჩინ.) და სინიიჯუ (კორ. სდრ) და სხვ. ხე-ტყის დაცურება.

რუსეთ-იაპ. 1904—05 ომის დროს ი-ის ქვემოთში 1904 წ. 18 აპრ. გაიმართა პირველი დიდი ბრძოლა რუს. და იაპ. ჯარებს შორის. 18 აპრ. ღამით იაპ. I არმიამ გენ. კუროკის სარდლობით გადალახა მდინარე, დაამარცხა რუს. არმია, რ-საც სარდლობდა გენ. ზასულიჩი, და აიძულა იგი უკან დაეხია. ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა იაპონელებს გადაეყვანათ II არმია ლიაოდუნის ნ.-კ-ზე და განეკითარებინათ შეტევა მანჯურიაზე.

იალქანი, იხ. *აფრა.*

იალქნები (ლათ. Vela), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი.* მასში ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები 1,8; 2,0; 2,2; 2,5 და 2,7 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა.* დასაკვირვებლად ყველაზე უკეთესი პირობებია იანვ.-თებ-ში. ჩანს სსრკ-ის სამხრ. რ-ნებიდან.

იალქნოსანი თევზები (Istiophorus), თევზების გვარი იალქნოსნისებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 3,3 *მ*, მასა 100 *კგ* აღწევს. ცნობილია 1 სახეობა — I. platypterus. გავრცელებულია უმთავრესად წყნარ, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეთა ტროპ. ზონაში. მტაცებლებია. იკვებებიან თევზებით და კალმარებით. ძვირფასი სარეწაო თევზია და სპორტ. მეთევზეობის კარგი ობიექტი.

იალლუზიძე (ნამდვ. გვარი გაბარათი) იოანე გიორგის ძე [1775, სოფ. ზალდა, ახლანდ. ცხინვალის რ-ნი, — 5 (17). VIII. 1830, თბილისი], ოსი პოეტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. დაიბადა აზნაურის ოჯახში. ერეკლე II-ის შუამდგომლობით მიაბარეს დავითგარეჯის მონასტერში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილ. სას. სემინარიაში. საზ. საქმიანობა დაიწყო გადამწერობით (2-ჯერ გადაუწერია ვეფხისტყაოსანი). 1815—21 თბილისში, ოსეთის სას. კომისიაში მუშაობდა თარჯიმნად. ქართულიდან ოსურად თარგმნიდა სას. წიგნებს („საცისკრონი ლოცვანი", 1820; „გამოკრებილი კურთხევანი", 1824; ი-ს უთარგმნია ოთხთავი; დაცულია ხელნაწერი.). 1820-იდან თბილ. სას. სემინარიაში ოს ბავშვებს ასწავლიდა რუს. და ქართ. ენებს. 1820 ქართ. გრაფიკის (როგორც ნუსხა-ხუცურის, ისე მხედრულის) საფუძველზე შეადგინა ოსური ანბანი, ხოლო 1821 — პირველი საანბანო წიგნი ოსურ ენაზე. ი-ის პოეტური შემოქმედებიდან აღსანიშნავია პატრ. პოემა „ალლუზიანი" (1885, ქართ. ენაზე), რ-შიც მოთხრობილია მეფე ალლუზის საგმირო საქმეები.

ლიტ.: აბზლედიანი გ., ოსური ენის ისტორიისათვის, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1925, ტ. 5; თედეევი ო., ქართული ოთხთავის ოსური თარგმანის ისტორიისათვის, «ოსუ შრომები», 1964, ტ. 108; Гукаев Дз. А., О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, «Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института», 1955, в. 7.

იალლუნი (Tamarix), მერქნიან მცენარეთა გვარი იალლუნისებრთა ოჯახისა. ზაფხულმწვანე, იშვიათად მარადმწვანე ბუჩქები ან ტანდაბალი ხეებია. სიმაღლე 3—12 *მ* აღწევს. წვრილი გრძელი ყლორტები დაფარული აქვთ პატარ-პატარა მოცისფრო ან მონაცრისფრო ქერქლისებრი ფოთლებით, რ-ებიც მარილის გამომყოფი ჯირკვლებით არის მოფენილი. 54-მდე სახეობა გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, წინა და ცენტრ. აზიასა და აფრიკაში; სსრკ-ში 24 სახეობაა, საქართველოში — 3. გვხვდება როგორც ბარად (ჩვენში ზ. დ. 600 *მ*-მდე), ისე მთაში (მაგ., შუა აზიაში ზ. დ. 3600 *მ*-მდე აღწევს). იზრდება ჭალის ტყეებში, ზღვისპირა ქვიშაზე, ტბების, მდინარეების და სარწყავი არხების ნაპირებზე, რიყეზე, ველისა (სტეპისა) და უდაბნოს დამლაშებულ ნიადაგზე და სხვ. ი. სინათლის მოყვარული და სწრაფმზარდია. კარგად იტანს გვალვას.

იალტა. სანატორიუმი „უზბეკეთი".



იალლუნი. ა — ყვავილი ბ — ნაყოფი.

თავისი ნაზი ფოთლებისა და უხვი ყვავილების გამო ძალზე დეკორატიულია. განსაკუთრებით გამოსადეგია მლაშობების გასამწვანებლად. თაფლოვანი მცენარეა. ზოგი სახეობა სარწყავი კულტურების სარეველაა. ამრავლებენ კალმით, თესლითა და ფესვის ამონაყრით. მერქანს იყენებენ სახარატო საქმეში. შეიცავს საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებებს. გამოსადეგია უდაბნოში მოძრავი ქვიშის დასამაგრებლად. *მ. სახოკია.*

იალლუნისებრნი (Tamaricaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ტანდაბალი ხეები, ბუჩქები და ბუჩქნალახებია. წვრილი ქერქლისებრი ფოთლები მორიგეობით აქვთ განწყობილი. ყვავილები წვრილი და უფრო ხშირად ორსქესიანია; შეკრებილია მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილედებად, ზოგჯერ მარტოულია. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია. ი. შეიცავს 4 გვარის 120 სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიასა და აფრიკაში. სსრკ-ში მ. შ. საქართველოშიც, ამ ოჯახის 3 გვარია ცნობილი: *იალლუნი,* მთის იალლუნი (Myricaria) და რეომიურია (Reaumuria). იზრდებიან უმთავრესად უდაბნოს, ნახევრად უდაბნოსა და ველის (სტეპის) ზონაში (მთის ხეობებში ზოგი სუბალპურ სარტყელს აღწევს), ზღვების, ტბებისა და მდ-ების ნაპირებზე, დამლაშებულ მშრალ ფერდობებზე, რიყეზე და სხვ. შეიცავენ მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს. ზოგი სახეობა თაფლოვანი და დეკორატიულია. *მ. სახოკია.*

იამაბე აკაჰიტო (დ. დაახლ. 730), იაპონელი სახალხო პოეტი. *ტანკას* უბადლო ოსტატი. მისი ლექსების უმრავლესობა, რ-თა თემაა მშობლიური ქვეყნის ბუნება, შექმნილია იაპონიაში მოგზაურობის დროს და დაკავშირებულია ამა თუ იმ კონკრ. ადგილთან. დღესაც პოპულარულია ი-ს ლექსი, მიძღვნილი იაპონელთა საყვარელი მთის ფუძისადმი. ი-ს პეიზაჟური ლირიკა რეალისტურია. მისი მრავალი ლექსი შესულია *„მანიოსიუში"*— იაპ. პოეზიის ანთოლოგიაში. ი-ს პოეტურმა სახეებმა და ხერხებმა, რ-ებიც ოსტატურად გამოიყენეს მომდევნო თაობის პოეტებმა, ხელი შეუწყო იაპ. პოეზიის განვითარებას.

იამაგატა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ. ნაწილში, იამაგატის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 212,3 ათ. მცხ. (1974). სარკინიგზო კვანძი. მეაბრეშუმეობისა და ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების წარმოების ცენტრი. საფეიქრო და ელექტროტექ. მანქანათმშ., საკონსერვო ქ-ნა. გალაქულ ნაკეთობათა შინამრეწველური წარმოება. უნ-ტი.



იალქნოსანი თევზები: 1— Tetrapturus angustirostris; 2—Istiophorus platypterus; 3—Makaira nigricans.

იამაიკის სახელმწიფო გერბი.

ᲘᲐᲛᲐᲒᲐᲢᲐ, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ. ნაწილში. ფართ. 9,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,2 მლნ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. იამაგატა. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ოუს, ეტიგოსა და დევის მთებს. იაპ. ზღვის სანაპიროზე მოგამის ვაკეა. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 40% ჩაბმულია სოფ. მეურნეობაში. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, ქერი, თამბაქო. დიდ როლს თამაშობს მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, თევზჭერა. ამზადებენ ხე-ტყეს. იღებენ ბუნებრივ აირს, ნავთობს, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს. განვითარებულია მანქანათსაშ., საფეიქრო (უმთავრესად აბრეშუმის), კვების, ხის დასამუშ., ქიმ., ლითონდასამუშ. მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია იამაგატა, იონეძავა და სხვ.

ᲘᲐᲛᲐᲒᲣᲩᲘ, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში. ფართ. 6,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,6 მლნ. კაცი (1976). ადმ. ც. — ქ. იამაგუტი. ზედაპირი უმთავრესად ბორცვიანი და დაბალმთიანია, სიმაღლე 989 *მ*-მდე. ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით პრეფექტურის სამხრ. ნაწილში, ვაკეებია. ᲘᲐ. აგრ.-ინდუსტრ. რ-ნია. მთავარი კულტურაა ბრინჯი. მოჰყავთ აგრეთვე ქერი, პარკოსანი და ტექ. კულტურები. განვითარებულია მესაქონლეობა, თევზჭერა (ქ. სიმონოსეკი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი თევზსაჭერი ნავსადგურია). ქიმ., მეტალ., მანქანათსაშ., კვების, მინა-კერამ. მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია სიმონოსეკი, უბე, ივაკუნი და სხვ.

ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ (Jamaica), სახელმწიფო ვესტინდოეთში, კარიბის ზღვაში, კ. იამაიკასა და მიმდებარე მცირე კუნძულებზე. შედის *ერთა თანამეგობრობაში.* ფართ. 11,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 2,1 მლნ. კაცი (1977). დედაქალაქი — კინგსტონი. ოფიც. ენა — ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია აგვ. პირველი ორშაბათი — დამოუკიდებლობის დღე (1962). ფულის ერთეული — იამაიკის დოლარი = 1,1 აშშ-ის დოლარს (1977). ადმინისტრაციულად ᲘᲐ. იყოფა 3 საგრაფოდ. მოქმედებს 1962 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტ. მეფე (დედოფალი), რ-იც თავის წარმომადგენლად ნიშნავს გენ.-გუბერნატორს. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა კაბინეტი.

ᲘᲐ-ის უმეტესი ნაწილი უჭირავს კირქვის პლატოს (სიმაღლე 500—1000 *მ*). აღმ. ნაწილში ბლუ-მაუნტინის მთებია (სიმაღლე 2256 *მ*-მდე). სამხრ. და დას. სანაპიროს გასწვრივ დაბლობი ვაკეებია. მთებში შემორჩენილია ვულკანიზმის კვალი. არის ცხელი წყაროები. იცის მიწისძვრა (ძლიერი მიწისძვრა იყო 1692 და 1907). ჰავა ტროპ. პასატურია. იანვ. საშ. ტემპერაა 24—25°C, ივლისისა 26—27°C. ნალექები ტერიტ. დიდ ნაწილში 1800—2000 *მმ* წელიწადში, მთების ქარპირა კალთებზე 5000 *მმ*-მდე. ყველაზე დიდი მდინარეა ბლეკ-რივერი. მთების ჩრდ.-აღმ. კალთებზე მარადმწვანე ტროპ. ტყეა, დაბლობზე — სავანა.


ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ
78°
76°
18°
50 კმ
ᲙᲘᲜᲒᲡᲢᲝᲜᲘ
2256
986
ᲞᲝᲠᲢ-ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲘ
ᲞᲝᲠᲢᲚᲣᲘᲡᲘᲡ
ᲞᲝᲠᲢ-ᲛᲐᲠᲘᲐ
ᲞᲝᲠᲢ-ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘ
ᲞᲝᲠᲢ-ᲙᲐᲜᲑᲔᲠᲘ
ᲞᲝᲠᲢᲚᲣᲘᲡᲘᲡ
ᲛᲔᲠᲬᲔᲚᲘ
ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲓᲘ
ᲑᲚᲔᲙ-ᲠᲘᲕᲔᲠᲘ
ᲛᲔᲠᲬᲔᲚᲘ
ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ
ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘ
ᲛᲐᲠᲘᲐ
ᲛᲐᲠᲗᲐ
ᲛᲔᲠᲬᲔᲚᲘ

რდ.-დას. ნაწილში, რსფსრ ტიუმენის ოლქის იამალ-ნენთა ავტონ. ოკრუგში. დას.-ით ეიაზღვრება ბაიდარატის უბე და კარის ზღვა, აღმ.-ით და სამხრ.-ით—ობის ყურე. სიგრძე 700 *კმ*, სიგანე 240 *კმ*-მდე. ფართ. დახლ. 122 ათ. *კმ*². ზედაპირი კაკვა, სიმაღლე 50-იდან 84 *მ*-მდე. ირითადად აგებულია ქვიშა-თიხოვანი ხღვიური ნალექებით. სანაპირო მეტწილად დაბლობია, ნაპირი ზოგან ფლატოვანია. ჰავა კონტინენტური, მკაცრი. ზამთარი 8 თვეს გრძელდება. იანვარში. ტემ.-რა —22°C, —26°C, ივლ. 4—10°C. ნალექები 240—250 *მმ* წელიწადში. ბეცრია ტა. ჩრდ.-ში არქტიკული და ხავსიანლიერები.ნი ტუნდრაა, სამხრ.-ში — ტყე-ტუნდრა. მისდევენ მეირმეობას, ნადირობას, თევზჭერას. სამხრ.-ით ირმის საზაფხულო საოვრებია. აღმოჩენილია საწვავი აირის საბადოები. ობის ყურის ნაპირზეა ნავსადგური ნოვი-პორტი.

იამალ-ნენთა ავტონომიური ოკრუგი (197°-მდე — იამალ-ნენთა ნაციონალური ოკრუგი), შედის რსფსრ ტიუმენის ოლქში. შეიქმნა 1930 წ. 10 დეკ. ფართ. 750,3 ათ. *კმ*², მოსახლ. 158 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 78%. ცენტრი — ქ. სალეხარდი მდებარეობს დას. ციმბ. ვაკის ჩრდ. ნაწილში, მდ. ობის ქვემოთში. აკრავს კარის ზღვა. ი.-ნ. ა. ო-ში შედის იამალისა და გიდანის ნ.-კ-ები, შოკალსკის, თეფრი და სხვა კ-ები. ოკრუგის სამხრ. ნაწილში ტყეებია, ჩრდ.-ში — ტუნდრა და ტყე-ტუნდრა. დიდი ფართ. უკავია ჭაობს. ეკონომიკის მთავარი დარგებია: აირის და თევზის მრეწვ., მეირმეობა, ნადირთმოშენება და ბეწვეულის რეწვა. არის ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესები. ანაოსნოა მდ.-ები: ობი, ნადიმი, ტაზი, პური; დიდი მნიშვნელობა აქვს *ჩრდილოეთის საზღვაო გზას*. ოკრუგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1971) და ხალხთა მეგობრობის (1972) ორდენებით.

იამანასი, პრეფექტურა იაპონიაში, კ-ჰონსიუს ცენტრალურ ნაწილში. ფართ. 4,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 783 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. კოფუ. ი-ს ცენტრ. ნაწილში კოფუს ქვაბულია, რ-ის ირგვლივ მთებია: დას.-ით და ჩრდ.-დასით — აკაასის ქედი, ჩრდ.-ით — კანტოს მთები, სამხრ.-აღმ.-ით — ვულკ. ფუძიამა (3776 *მ*). ი. ქვეყნის მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი მთავარი რ-ნია. მოჰყავთ ბრინჯი და ხორბალი. განვითარებულია მეხილეობა, მეცხოველეობა. მანქანათსაშ., საფეიქრო (უმთავრესად აბრეშუმის), კვების, ხის დასამუშ., მინის მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრია ქ. კოფუ.

იამანთაუ უმაღლესი მთის მასივი სამხრ. ურალში, ბაშკ. ასსრ-ში. სიმაღლე 1640 *მ*-მდე. აგებულია კრისტალური ქანებითა და კვარციტებით. კალთების ქვედა ნაწილი შემოსილია შერეული ტყით, ზევით ბალახოვანი მცენარეულობა და ჭაობებია, მწვერვალთან—ქვიშრობები და ღვიის რაყები.

იამბი (ბერძნ. iambos, ლათ. iambus), ძვ. ბერძნულ ლექსთწყობაში: ორმარცვლიანი ტერფი, რ-ის პირველი მარცვალი მოკლეა, მეორე — გრძელი (გრძელი მარცვალი ორ მოკლე *მორას* უდრის). ი-ით იწერებოდა უმეტესად გამკილავი შინაარსის ლექსები (ე. წ. „იამბიკა"). დადასტურებულია ჯერ კიდევ ძვ. წ. VII ს. ბერძნ. ლირიკაში (იხ. *არქილოქე*), ძვ. წ. V ს. ანტ. ტრაგედიების თუ კომედიების დიალოგები ძირითადად ი-ით იყო გაწყობილი. ძვ. წ. III ს-ში ი. აითვისა რომაულმა პოეზიამ. მთელი რიგი ახალი ენების სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში ი. გარდაიქმნა ორმარცვლიან ტერფად, რ-ის პირველი მარცვალი უმახვილოა, მეორე — მახვილიანი. ეს უკანასკნელი გავრცელდა გერმ., ინგლ., რუს. ლექსთწყობაში. ქართ. ლექსი ი-ს არ იცნობს.

იამბიკო, ძვ. ბერძნული პოეზიის სალექსო ზომა, რ-იც ეყრდნობა ორმარცვლიან ტერფთა ანუ (*იამბთა*) გარკვეულრაოდენობას. სილაბურ-ტონურ ლექსთწყობაში გრძელ მარცვალს მახვილიანი შეენაცვლა. ბერძნულის გავლენით ადმოცენებული ქართ. ქორეული (იხ. *ქორე*) ი. სამოცმარცვლიანია, შედგება ხუთი თორმეტმარცვლიანი ტაეპისაგან. ძვ. ქართ. ჰიმნოგრაფიაში ი. X ს-იდან გვხვდება იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვ. შემოქმედებაში. ქართ. იამბიკოსათვის დამახასიათებელია კიდურწერილობა. XI ს-იდან ქართ. ი-ში ჩნდება რითმა (*ბორენას, დემეტრე I-ის* საგალობლები). იამბიკური თორმეტმარცვლიანი ტაეპი გატეხილია ორ არათანაბარ (ხუთ- და შვიდმარცვლიან) ნაწილად. ი-ს ნიმუშია მეფე დემეტრეს (1125—59) ცნობილი საგალობლის ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
მორჩი კეთილი ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თვით თუსით მზე ხარ გაბრწყინებული."

ი., როგორც ლიტურგიული კანონი, გაყოფილია რვა „გალობად": I, II, III, IV, V, VI, VII, VIII. თითოეულ „გალობაში" არის ოთხი სტროფი, ხოლო სტროფი ზოგჯერ ხუთზე მეტ ტაეპს შეიცავს (იმის მიხედვით, თუ რამდენი ასოა ი-ს აკროსტიქში).

ლიტ.: ბერაძე პ., ქართული იამბიკოს შესახებ, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1943, ტ. 4, №6; გაწერელია ა., ქართული ლექსი, თბ., 1955; ინგოროყვა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლ. ჯალამაია.

იამბლიქე (Jamblichos) (დაახლ. 280—დაახლ. 330), ბერძენი მწერალი, *ნეოპლატონიზმის* სირიული სკოლის დამაარსებელი. წარმოშობით ქალკიდელი იყო. მოღვაწეობდა სირიის ქ. აპამეაში. რომში პორფირის მოწაფედ ითვლებოდა. ი. ავტორია სამეჯნურო-სათავგადასავლო რომანისა „ბაბილონური მოთხრობა". ი-ს მიმდევართაგან აღსანიშნავი არიან თეოდორე ასინელი, დექსიპე და იმპ. იულიანე განდგომილი. მისი სხვა თხზულებების თემატიკა ძირითადად ეხება ეთიკურ მოძღვრებას რიცხვთა შესახებ, მუსიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას. ფილოს. ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პლატონის დიალოგების კომენტირების იამბლიქესეულ მეთოდს, რ-მაც დიდი გავლენა იქონია ნეოპლატონიზმის ისტორიასა და ოკულტისტურ მსოფლიო ლიტ-რაზე.

ლიტ.: **История философии**, т. 1, М., 1940; Bidez J., Le philosophe Jamblique et son école, «Revue des études grecques», 1921, t. 32, an. 1919, p. 29—40.

იამგოზა, ხეები და ბუჩქები მირტისებრთა ოჯახისა. 120-მდე სახეობა გავრცელებულია აზიის ტროპიკებში, ავსტრალიასა და პოლინეზიაში. ბევრი სახეობა ისხამს არომატულ ნაყოფს; ტროპიკებში მას ხილად იყენებენ.

იამგოლი, ქალაქი სამხრ.-აღმ. ბულგარეთში, იამბოლის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 80 ათ. მცხ. (1976). სას.-სამ. მანქანათსაშ., ბამბეულის, თამბაქოს, საკონსერვო მრეწველობა. არქიტ. ძეგლები. ი-ის რ-ში — მინერ. წყაროები.

იამგოლის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული სამხრ.-აღმ. ბულგარეთში. ფართ. 4,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 207 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. იამბოლი. ტერიტ. დიდი ნაწილი მთაგორიანია. დას. ნაწილი უჭირავს ზემო თრაკიის დაბლობს. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, თამბაქო, ბამბა, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მეკვეხანეობა, მეცხოველეობა, ქიმ., მანქანათსაშ., კვების, საფეიქრო მრეწველობა.

იამაიკა. მდ. რიო-გრანდეზე.

იამგულე (Iambulos) (დაახლ. ძვ. წ. III ს.). ძვ. ბერძენი მწერალი. მისი ბიოგრაფია უცნობია. წარმოშობით ნაბატეელი უნდა ყოფილიყო; ი-ს რომან-უტოპია, რ-ის ნაწილი დიოდორე სიცილიელმა შემოგვინახა, ევჰემერეს გავლენით უნდა იყოს დაწერილი დაახლ. 280—200. მასში შეინიშნება ფილოს. რომანის ელემენტები. იდეალური სახელმწიფოს აღწერისას ჩანს სტოიკური ფილოს. ნიშნები.

იამი, მონღოლთა სამფლობელოში შემავალ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოსა და რუსეთში, სამხედრო-სტრატეგიული მიზნით გზებზე აგებული საფოსტო სადგური. დააარსა უგედეი-ყაენმა 1236 სახელმწიფოში მიმოსვლის საშუალებათა მოწესრიგების მიზნით. თითოეულ ი-ის უფროსს (იამჩი) მუდმივად უნდა ჰყოლოდა 20 ცხენოსანი გამყოლი, ცხენები, ჰქონოდა ხარშებმული ურმები და აუცილებელი საზოგად. ყველაფერი ეს ადგილ. მოსახლეობას უნდა გაეღო (იხ. *საიამე*).

წყარო: ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1974; Козин С. А., Сокровенное сказание. Монгольская хроника 1240 г. Юань Чао Биши, т. 1, М.—Л., 1941; Рашид-ад-дин, Сборник летописей, пер. с перс., т. 2, М.—Л., 1960.

ლიტ.: Бартольд В. В., Туркестан в эпоху монгольского нашествия, Соч., т. 1, М., 1963.

რ. კიკნაძე.

იანა, მდინარე იაკუტ. ასსრ-ში. წარმოიქმნება მდ-ების დულგალახისა და სარტანგის შეერთებით, რ-თაც სათავე აქვთ ვერხოიანსკის ქედზე. ერთვის ლაპტევების ზღვის იანის ყურეს და აჩენს დელტას (ფართ. 10,2 ათ. *კმ*²). სიგრძე 872 *კმ*, აუზის ფართ. 238 ათ. *კმ*². ქ. ვერხოიანსკის ქვემოთ ი. განიერ (6—10 *კმ*) ხეობაში მიედინება, სოფ. ჯანკის ქვემოთ კვეთს კულარის ქედს და ქმნის ვიწრო ჭორომიან ხეობას, ქვემოთში იანა-ინდიგირკის დაბლობზე მიედინება. საზრდოობს წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი ქვემო დინებაში 1000 *მ*³/*წმ*. საშ. წლ. ჩამონადენი 31 *კმ*³. იყინება ოქტ.-ში, ყინულძვრა ზემო დინებაში აპრილ-მაისშია, ქვემოთ — ივლისში. მთავარი შენაკადებია ადიჩა (მარჯვ.) და ბიტანტაი (მარცხ.). სანაოსნოა შესართავიდან ვერხოიანსკამდე. სარეწაო თევზებია: ქარიყლაპია, ჩირი, ჭარი-

იამაიკა. ბოქსიტების მოპოვება ქ. მონიგის მახლობლად.

ლ. იანაჩეკი.

ვ. იანგელი.

ჯ. იანგი.

ბ. იანვარაშვილი.

უსი და სხვ. ი-ის აუზში ვოლფრამისა და კალის საბადოებია.

იანა-ინდიგირკის დაბლობი, დაბლობი ლაპტევებისა და აღმ. ციმბირის ზღვების სანაპიროზე, იაკუტ. ასსრ-ში. გადაჭიმულია 600 *კმ*-ზე, ომოლოისა (დას.) და ინდიგირკის (აღმ.) ხეობებს შორის. სიგანე 300 *კმ*-მდე. დაბლობის დიდი ნაწილი 100 *მ*-ზე დაბლა მდებარეობს. ზოგიერთი შთენილი მაღლობის სიმაღლე 350—500 *მ* აღწევს. აგებულია ზღვიური და კონტინენტური ფხვიერი ნალექებით. დიდი ნაწილი უჭირავს ტუნდრის მცენარეულობას, ბევრია ჭაობი და ტბა.

იანაჩეკი (Janáček) ლეოშ (3. VII. 1854, ჰუკვალდი, მორავია, — 12. VIII. 1928, ოსტრავა), ჩეხი კომპოზიტორი, მუსიკის კრიტიკოსი, დირიჟორი და პედაგოგი, ჩეხიის მეცნ. და ხელოვნ. აკად. წევრი (1912). 1882—1919 იყო ქ. ბრნოში თავისივე დაარსებული საორგანო სკოლის რექტორი და პროფესორი, 1919 — 25 — უმაღლესი ოსტატობის სკოლის პროფესორი (პრაღის კონსერვატორიის განყ-ბა ბრნოში). 1896 და 1902 იმოგზაურა რუსეთში, შეისწავლა რუს. ენა, მუსიკა (განსაკუთრებით მ. მუსორგსკის შემოქმედება) და ლიტ-რა, რამაც გამოხატულება პოვა მის ნაწარმოებებში: საკონცერტო მელოდრამა „სიკვდილი" (მ. ლერმონტოვის ამავე სახელწ. ლექსის მიხედვით, 1876), სიმფ. რაფსოდია „ტარას ბულბა" (გოგოლის მოთხრობის მიხედვით, 1918), საფორტეპიანო ტრიო (1908—09) და სიმებიანი კვარტეტი (1923), ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატის" მოტივებზე); ოპერებში: „კატია კაბანოვა" (ოსტროვსკის დრამის „ჭექა-ქუხილის" სიუჟეტზე, 1921), „მკვდარი სახლიდან" (დოსტოევსკის მოთხრობის „ბარათები მკვდარი სახლიდან" მიხედვით, 1928, დაიდგა 1930). ი-მა ბრნოში ჩამოაყალიბა „რუსული წრე" (1896—1915). ი-ის ნაწარმოებთაგან, რ-ებმაც გაამდიდრეს ჩეხური მუსიკა, აღსანიშნაკია: „ლაშური ცეკვები" ორკესტრისათვის (1890), ოპერა „მისი გერი" („იენუფა", 1904, დაიდგა 1916), გუნდები პ. ბეზრუჩის სიტყვებზე („კანტორი გალფარი", „მარიჩკა მაგდონოვა", „70 000"), სექსტეტი სასულე საკრავებისათვის (1924), სიმფონიეტა (1926). ი-ის გვიანდ. შემოქმედებაში თავი იჩინა მოდერნიზმის გავლენამ. მისი საუკეთესო ნაწარმოებები აღბეჭდილია მკვეთრი ეროვნ, კოლორიტით, ემოციური ძალითა და გამოსახვის უბრალოებით. ი-ის სახელს ატარებს ქ. ბრნოს ხელოვნების აკადემია და საოპერო თეატრი.

იანგელი მიხეილ კუზმას ძე [25. X (7. XI). 1911, სოფ. ზირიანოვა, ირკუტსკის ოლქი, — 25. X. 1971, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი და კონსტრუქტორი რაკეტულ-კოსმოსური ტექნიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1966), ორგზის სოციალ. შრომის გმირი. (1959, 1961). სკკპ წევრი 1931-იდან. სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1966-იდან), სპეც. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. დაამთავრა მოსკ. საავიაციო ინ-ტი (1937). მუშაობდა ჯერ საავიაციო, შემდეგ კი რაკეტული ტექ. კონსტრუქტორად, იყო სამეცნ.-კვლ. დაწესებულებების ხელმძღვანელი, სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან საკონსტრუქტორო ბიუროს. აღზარდა მრავალი ცნობილი მეცნიერი და კონსტრუქტორი. ი-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე დედამიწის ახლოს მდებარე კოსმ. სივრცის გამოკვლევაში. სსრკ VII—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ლენინური (1960) და სახელმწ. (1967). პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენითა და მედლებით.

იანგზტაუნი (Youngstown), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ოჰაიოს შტატში. 130 ათ. მცხ. (1975). სარკინიგზო კვანძი. ქვეყნის შავი მეტალ. ცენტრი, იყენებს აპალაჩის აუზის ქვანახშირსა და ზემო ტბის რ-ნის რკინის მადანს. მანქანათსაშ. (ელექტროტექ. და სხვ.), ქიმ., კერამ., კვების მრეწველობა.

იანგი, იან ჯენ-ნინი (Yang) (დ. 22. IX. 1922, ხეფეი, ანხოის პროვინცია), ჩინელი ფიზიკოსი, მუშაობს აშშ-ში. 1948—49 მუშაობდა ჩიკაგოს უნ-ტში, 1949-იდან —პრინსტონის პერსპექტიულ გამოკვლევათა ინ-ტში (1955-იდან ბროფესორი). 1966-იდან ნიუ-იორკის შტ. უნ-ტის თეორიული ფიზიკის ინ-ტის პროფესორი და დირექტორი. უმთავრესი შრომები აქვს ველის. კვანტურ თეორიაში, ელემენტარული ნაწილაკების თეორიასა და ფაზური გადასვლების თეორიაში. *ლისთან* ერთად 1956 თეორიულად დაასაბუთა სუსტ ურთიერთქმედებებში ლუწობის შეუნახველობა (ნობელის პრემია, 1957). მათ იწინასწარმეტყველეს, რომ ლუწობის შეუნახველობა უნდა გამომჟღავნდეს β-გამოსხივების ასიმეტრიაში ბირთვული სპინის მიმართულების მიმართ, რაც ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს ვუ ძიან-სიუნმა და მისმა თანამშრომლებმა (აშშ, 1957). ავტორია შრომებისა ორკომპონენტიანი ნეიტრინოს თეორიაში (ლისა და რ. ემესთან ერთად), კონდენსაციის თეორიაში (ლისთან ერთად). დაამტკიცა რამდენიმე მნიშვნელოვანი თეორემა სტატისტ. ჯამებისათვის თერმოდინ. ზღვარის არსებობის შესახებ.

იანგი (Young) ედუარდ (მონათლულია 3. VII. 1683, სოფ. აპემი, უინჩესტერის ახლოს, — 5. IV. 1765, უელინი, ჰერიფორდშირი), ინგლისელი პოეტი. იყო მღვდელი. წერდა რელიგ.-დიდაქტ. პოემებს და კლასიცისტურ ტრაგედიებს. თეთრ ლექსად დაწერილი პოემით „ჩვიდილი ანუ ღამეული ფიქრები ცხოვრებაზე, სიკვდილსა და უკვდავებაზე" (1742—45) ი-მა ბიძგი მისცა ევრ. პოეზიაში რომანტ. მელანქოლიის მოტივს, ელეგიურ თემატიკას, ბუნების სანტიმენტალური გააზრების თემას და სათავე დაუდო ე. წ. სასაფლაოთა პოეზიას. ტრაქტატში „თვალსაზრისი ორიგინალურ იხზულებათა შესახებ" (1759) ი. სანტიმენტალიზმის თეორეტიკოსად გვევლინება.

იანგი (Young) ჯონ (დ. 24. XI. 1930, სან-ფრანცისკო), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საზღვაო ფლოტის I რანგის კაპიტანი. 1957 დაამთავრა ტექნოლ. ინ-ტი ატლანტაში (ჯორჯიის შტ.) და მიიღო მეცნიერ-ბაკალავრის ხარისხი. 1959—62 მუშაობდა გამომცდელ მფრინავად. 1962-იდან აერონავტიკისა და კოსმ. სივრცის კვლევის ეროვნ. სამმართველოს კოსმონავტთა რაზმშია. 1965 წ. 23 მარტს ვ. *გრისომთან* ერთად გაფრინდა კოსმოსში „ჯემინი-3-ით" (3 გარემოცევა დედამიწის ირგვლივ), ხოლო 1966 წ. 18—21 ივლ. — მ. *კოლინზთან* ერთად „ჯემინი-10-ით". იყო ხომალდის მეთაური; განახორციელა „ჯემინი-10-ის" რაკეტა „აჯენა-10-თან" შეპირაპირება, მისგან გამოყოფა და შემდეგ რაკეტა „აჯენა-8-თან" შეხვედრა. ფრენა გაგრძელდა 70 *სთ* 46 *წთ*. ტ. სტაფორდთან და ი. სერნანთან ერთად 1969 წ. 18—26 მაისს პილოტობდა კოსმ. ხომალდ „აპოლონ-10-ს", რ-მაც 32-ჯერ შემოუფრინა მთვარეს და დაბრუნდა დედამიწაზე. ი. ატარებდა სამეცნ.-ტექ. გამოკვლევებს. 1972 წ. 16—27 აპრ. ჩ. *დიუკთან* და ტ. მატინგლისთან ერთად „აპოლონ-16-ით" გაფრინდა მთვარეზე. იყო ხომალდის მეთაური. 1972 წ. 21 აპრ. დიუკთან ერთად მთვარის კაბინით დაეშვა მთვარეზე კრატერ დეკარტის რ-ნში და დაჰყო იქ 71 *სთ* 2 *წთ*, 3-ჯერ გამოვიდა მთვარის ზედაპირზე (საერთო ხანგრძლივობა 20 *სთ* 14 *წთ*). გადაადგილებისას სარგებლობდნენ მთვარემავლით. 4 რეისის განმავლობაში კოსმოსში იფრინა 533 *სთ* და 33 *წთ*.

იანგიიული (1934-მდე დაბა კაუნჩი), ქალაქი უზბ. სსრ ტაშკენტის ოლქში, მდ. ჩირჩიქის მარჯვ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური, ტაშკენტიდან 28 *კმ* 62 ათ. მცხ. (1977). საკონსერვო, ღვინო-კონიაკის, ზეთსახდელი, ბამბასაწმენდი, რკინაბეტონის ნაწარმთა და სხვა ქ-ნები, საკონდიტრო ფ-კა. სამედ. სასწავლებელი.

იანეთი, სოფელი მახარაძის რ-ნში (ჯუმათის სოფსაბჭო), მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 80 *მ*, მახარაძიდან 13 *კმ*. ჯუმათის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ჯუმათში (2,5 *კმ*). საბავშვო ბაგა, ბ-კა, საფერშლო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

იანეთი, სოფელი სამტრედიის რ-ნში, იმერეთის დაბლობზე, მდ. გუბისწყლის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭო. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 30 *მ*, სამტრედიიდან 7 *კმ*. ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, 2 კლუბი, 2 ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

იანეული, სოფელი ჩოხატაურის რ-ნში (ბუკისციხის სოფსაბჭო), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 240 *მ*, ჩოხატაურიდან 9 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ*. ბუკისციხის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მევენახეობა, მესიმინდეობა), რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

იანვარაშვილი ბარბალე ივანეს ასული [დ. 17 (30). XII. 1908, ბაქო], ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1979). 1917-29 სწავლობდა ბაქოს კონსერვატორიაში. 1928-37 მუშაობდა ბაქოს ქართულ დრამ. თეატრში, 1938-იდან თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრშია. მნიშვნელოვანი როლები: კეცია (მილორავას „სიმღერა თბილისზე"), თეო (ცაბაძის „სამთა სიყვარული"), თელი (ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ ალან") და სხვ.

იანვარი (ლათ. Januarius), კალენდარული წლის პირველი თვე (31 დღეღამე), სახელი ეწოდა რომაელთა ღმერთის *იანუსის* პატივსაცემად. შემოიღეს რომში ძვ. წ. 700; ძვ. წ. 46 წლის დასაწყისად დაამტკიცეს 1 იანვარი. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრიი—აპანი, აპნისი.

იანთაი, ჩიფუ, ქალაქი ჩინეთში დიდი ნავსადგური და თევზსაჭერი ბაზა ყვითელი ზღვის სანაპიროზე, შანდუნის პროვინციაში. 150 ათ-ზე მეტი მცხ. (1975, შეფასება). კვებისა (ღვინის, თევზსაკონსერვო, საფქვავი) და აბრეშუმის მრეწვ., ელექტრომანქანათმშ., ჩარხთმშენებლობა. მხატვრული ნაქარგებისა და მაქმანების დამზადება, კურორტი.

იანი (ნამდვ. გვარი იანჩევეცკი) ვასილი გრიგორის ძე [23. XII. 1874 (4. I. 1875), კიევი,— 5. VIII. 1954, ზვენიგოროდი, მოსკ. მახლობლად], რუსი საბჭ. მწერალი. ისტ. პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1897). ავტორია მოთხრობებისა „ფინიკიური ხომალდი" (1931), „სპარტაკი" (1933) და სხვ. ნისი მნიშვნელოვანი ქმნილებაა ტრილოგია „მონღოლების შემოსევა": „ჩინგიზ ხანი" (1939; სსრკ სახელმწ. პრემია, 1942), „ბათო" (1942), „უკანასკნელი ზღვისაკენ" (1955). ტრილოგიაში ასახულია რუსი ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლა მინღოლთა წინააღმდეგ, დასმულია ორი სამყაროს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემები.

იანი (Jahnn) ჰანს ჰენი (17. XII. 1894, შტელინგენი, ჰამბურგის მახლ., — 29. XI. 1959, იქვე), გერმანელი მწერალი (გფრ). იყო პაციფისტი; ორივე მსოფლიო ომის


1:6 000 000
1:15 000 000



დამუშავებითი მრეწველობა

- მაკი მეტალურგია
- ფერადი მეტალურგია
- მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება
- ქიმიური
- მინერალური სასუქების წარმოება
- ნავთობგადამამუშავებელი
- სილიკატურ- კერამიკული
- ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის
- საფეიქრო
- კვების
- მაქრის

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება

- ▲ ნავთობი
- ■ ქვანახშირი
- ▨ მერა ნახშირი
- Fe რკინის მადანი
- Mn მანგანუმის მადანი
- Cr ქრომიტების მადანი
- W ვოლფრამის მადანი
- Al ალუმინის მადანი
- Cu სპილენძის მადანი
- ☢ პოლიმეტალური მადანი
- Sb სტიბიმინუმის მადანი
- Б ბორატები (პანდერბორი და კოლემანიტი)
- Ba ბარიტი
- S გოგირდი
- ▢ ხეფრის მარილი
- C სეპიოლითი (ზღვის ქაფი)

თბოელექტროსადგურები

- ✸ 100-იდან 700 ათას კვტ-მდე
- ✸ 100 ათას კვტ-მდე

ნავსადგურების ნლიური ტვირთბრუნვა

- 2-იდან 8 მლნ. ტონამდე
- 1-იდან 2 მლნ. ტონამდე

სოფლის მეურნეობა

- მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი) და ხილი (ზეთსახილი, ყურძენი, ვაშლი და სხვ.)
- მარცვლეული(ხორბალი,ქერი), და ტექნიკური კულტურები მეცხოველეობასთან ერთად
- მარცვლეული (ხორბალი, ქერი), ხილი (ზეთსახილი, ყურძენი, ლიმონი) ბოსტნეული და მეცხოველეობა
- მარცვლეული (ხორბალი, ქერი), სარგაბე მინდვრე-ბრინჯი, ბამბა
- ხანგრძლივი მესაქონლეობა (ცხვარი, თხა) და მარცვლეული
- ⚲ ბრინჯი
- ♀ ბამბა
- ⚲ მორეული
- ♀ ხაშაში
- ♀ მაქრის ქარხანა
- ♂ თამბაქო
- ♂ ციტრუსები
- ♀ ვაზი
- ♂ ხილი (ფეიჯოა)

დროს ემიგრაციაში იმყოფებოდა. O-ის რომანებისა („პერუდია", 1929; ტრილოგია „უნაპირო მდინარე": „ხის ხომალდი", 1949; „გუსტავ ანიას ჰორნის ჩანაწერი", 1949—50; „ეპილოგი", 1961) და დრამების („პასტორი ეფრაიმ მაგნუსი", 1919; „მოპარული ღმერთი", 1924; „მედეა", 1926 და სხვ.) თემატიკაა ანტიმილიტარიზმი, ანტიფაშიზმი; ქრისტიანობის, მორალის, ცივილიზაციის, მექანისტური აზროვნების წინააღმდეგ პროტესტი; „წარმართული ვიტალიზმის", ხორციელი სიყვარულის, მშვენიერი სხეულის კულტი.

იანინა, ი ო ა ნ ნ ი ნ ა (Iōannina), ქალაქი საბერძნეთში, ეპირის ოლქში, იანინის ტბის ნაპირზე. იანინის ნომის ადმ. ცენტრი. 40,1 ათ. მცხ. (1971). მესაქონლეობის რ-ნის სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო, კვებისა (ყველის) და ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ. პატარა საწარმოები. ხალიჩების წარმოება.

იანინგსი (Jannings) ემილ (23. VII. 1884 — 2. I. 1950), გერმანელი მსახიობი. 1914-იდან „მ. რაინჰარდტის გერმანული თეატრის" (ბერლინი) მსახიობი. კინოში პირველად გადაიღეს 1914. საუკეთესო როლები: მეფისტოფელი (გოეთეს „ფაუსტი"), ოტელო (შექსპირის „ოტელო") და სხვ. ე. ლიუბიჩისა და დ. ბუხოვეცკის ისტ. ფილმებში შეასრულა ხელმწიფეთა როლები, ლუდოვიკო XV („მადამ დიუბარი". 1919), ანრი VIII („ანა ბოლეინი", 1920), ნერონი („ვიდრე ჰხვალ", 1924) და სხვ. მოხუცი შვეიცარი („უკანასკნელი ადამიანი", 1925). 1927—29 მოღვაწეობდა ჰოლივუდში. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი როლია პავლე I („პატრიოტი", ამერ. კინოხელოვნ. და მეცნ. აკადემიის პრემია). 1929 დაბრუნდა გერმანიაში. შეასრულა პროფ. უნრატის როლი ფილმში „ცისფერი ანგელოზი"(1930, ჯ. მანის მიხედვით). ფაშისტური გადატრიალების შემდეგ გერმანიაში დარჩა და მონაწილეობდა ნაცისტურ ფილმებში.

იანიშევსკი (Janiszewski) ლეონ (1810, კალიში, პოლონეთი, — 27. II. 1861, თბილისი), პოლონელი პოეტი. სწავლობდა კალიშის კლასიკურ გიმნაზიაში და ვარშავის უნ-ტში. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის დევნილი O. 1841 გადასახლდა თბილისში, სადაც ლიტ. და მუს.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა. აღსანიშნავია მისი ნარკვევი „ქედის მოხრა ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავზე, წმინდა დავითის გორაზე, თბილისში; 9. I. 1842" (1843) და ლექსი „არმყოფთან" (1850), რ-შიც XIX ს. თბილ. კულტ. ცხოვრებაა აღწერილი. 20 წლის მანძილზე O. მუსიკას ასწავლიდა ამიერკავკ. კეთილშობილ ქალთა ინ-ტში. 1847 გამოაქვეყნა 2 პოლკა ფორტეპიანოსათვის: „თბილისური პოლკა" და „მშვენიერი ქართველი ქალი". O. თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში", აქვეყნებდა ლიტ. სტატიებსა და მუს. რეცენზიებს.

ქ. ჭავჭანიძე.

იანკი (ინგლ. yankee), აშშ-ის ამერიკელთა მეტსახელი, რ-იც შეარქვეს ევროპელებმა. წარმოიშვა ჰოლანდ. სახელიდან იან (Yan), უებსტერის ლექსიკონის ვერსიით, ასე უწოდებდნენ კონექტიკუტის ინგლ. კოლონისტებს ნიუ-იორკში ჩასახლებული ჰოლანდიელები. იხმარება როგორც დამამცირებელი ზედწოდება.

იან (იოჰან) ლეიდენელი (Jan van Leiden, Johann von Leiden) (დაახლ. 1509, ლეიდენის მახლობლად, — 23. I. 1536, მიუნსტერი), ნიდერლანდელი ანაბაპტისტების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი, *მიუნსტერის კომუნის* მეთაური. 1534 წ. 5 აპრ-იდან „12 უხუცესის" საბჭოს (კომუნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო) ფაქტობრივი ხელმძღვანელი. O. ლ. გამოაცხადეს „ახალი სიონის (მიუნსტერის) მეფედ". იგი განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა ალყაშემორტყმულ ქალაქში. გაატარა რეფორმები, ბრწყინვალედ მოაწყო ქალაქის დაცვა. მიუნსტერის ეპისკოპოსის ჯარების მიერ მიუნსტერის აღებისას (1535 წ. 25 ივნ.) ტყვედ ჩავარდა. შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

იან ლი-ბენი (გ. 673), ჩინელი ფერმწერი, უდიდესი წარმომადგენელი ფერწერის ჟანრისა — „ხალხი". დაიბადა შანსის პროვინციაში. მუშაობდა პოლიქრომიული ტექნიკით, ხშირად—თავის ძმასთან იანლი-დესთან ერთად, რ-იც მხატვარი, არქიტექტორი და გამოყენებითი ხელოვნ. ოსტატი იყო. ნამუშევრები: „ცამეტი იმპერატორი" (ბოსტონის ნატიფი ხელოვნ. მუზეუმი, აშშ), „მთვრალი დაოსი" (სტოკლეს კოლექცია, ბელგია), „სიაო ი ხელნაწერს გამოსტყუებს ვან სიჯის" (დუნბეის მუზეუმი, შენიანი) და სხვ.

იან-მაიენი (Jan Mayen), ვულკანური კუნძული ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილში. ნორვეგიის სამფლობელო. ფართ. დაახლ. 380 *კმ²*. კუნძულის ჩრდ.-აღმ-ში ბერენბერგის ვულკანური კონუსია (2277 *მ*), რ-იდანაც რამდენიმე მყინვარი ეშვება. სამხრ.-დას-ში სუსტად დანაწევრებული პლატოა, რ-ზეც ვულკანური კონუსები (840 *მ*-მდე სიმაღლის) და ცხელი წყაროებია. ჰავა ზღვიური სუბარქტიკულია. ჰაერის საშ. ტემპ-რა თებ-ში —5°C, —7°C, აგვ-ში 5—7°C. ნალექები დაახლ. 400 *მმ* წელიწადში. ხარობს ტუნდრის მცენარეულობა. ბევრია ფრინველი. გვხვდება თეთრი დათვი, თეთრი და ცისფერი მელა. არის ბოქსიტების საბადოები.

იანოვსკი იური ივანეს ძე [14 (27). VIII. 1902, ხუტორი მაეროვო, ახლანდ. სოფ. ნეჩაევკა, კიროვოგრადის ოლქი, — 25. II. 1954, კიევი], უკრაინელი საბჭ. მწერალი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა კიევის პოლიტექ. ინ-ტში. ომის წლებში მუშაობდა უკრ. I ფრონტის კორესპონდენტად, ესწრებოდა ნიურნბერგის პროცესს. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო ლექსებით (1922). მოთხრობებსა და ნოველებს აქვეყნებდა 1924-იდან. მოთხრობათა პირველ კრებულებში „მამონტის ეშვები" (1925), „მიწის სისხლი" (1927) რომანტ. პათოსით აღწერა სამოქალაქო ომის ჰეროიკა. საუკეთესო რომანში „მხედრები" (1935) ასახა უკრ. მუშათა კლასის მამაცობა, რევოლუციისადმი ერთგულება. „კიევური მოთხრობები" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949) უძღვნა მუშებისა და კოლმეურნეების საბრძოლო და შრომით გმირობას. რომანში „მშვიდობა" (გამოქვეყნდა 1956) ასახულია უკრ. სოფლის მშრომელების მეგობრობა ქართვ. და მოსკ. გარეუბნის კოლმეურნეებთან. წერდა პიესებსაც. მისი თხზულებები თარგმნილია სსრკ ხალხთა ენებზე, მ. შ. ქართულადაც („მხედრები", 1977).

თხზ.: Собр. соч., т. 1—3, М., 1960.

ლიტ.: Тростинецкий А., Крила романтики, Київ, 1962; Місіюра, Юрий Яновский, М., 1959. *რ. ხვედელიძე.*

იანონისი იულიუს (5. IV. 1896, სოფ. ბერჟინიაი, ახლანდ. ბირჟაის რ-ნი, ლიტვ. სსრ, — 30. V. 1917, ცარსკოე-სელო, ახლანდ. ქ. პუშკინი), ლიტველი პოეტი და რევოლუციური მოღვაწე, ლიტვ. პროლეტ. პოეზიის ფუძემდებელი. არაერთხელ იყო რეპრესირებული რევ. მოღვაწეობისათვის. 1912 გამოაქვეყნა პირველი ლექსები, რ-ებშიც გამოხატულია თანაგრძნობა ლატაკთადმი, ოცნება საყოველთაო ბედნიერებაზე და სამართლიანობაზე. აღსანიშნავია ლექსები „მჭედელი" (1914), „შრომის არმია", „კოურიან ხელებს". მისმა კრებულმა „ლექსები" (გამოქვეყნდა 1918) გადამწყვეტი როლი ითამაშა ლიტვ. რევ. ლირიკის ჩამოყალიბებაში.

იანსენიზმი, კათოლიციზმის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა. აერთიანებს ჰოლანდ. ღვთისმეტყველის კ. იანსენის (1585—1638) მიმდევრებს. XVII ს. II ნახევარში გავრცელდა საფრანგეთში, ჰოლანდიასა და დას. ევროპის სხვა ქვეყნებში. O-ში რელიგ. ფორმით გამოვლინდა ბურჟ. წრეების ოპოზიცია ფეოდალიზმის მიმართ; O. უშუალოდ მიმართული იყო *ოეზუიტების* წინააღმდეგ. იანსენისტები მოითხოვდნენ დაბრუნებოდენ ავგუსტინეს ბედისწერისა და შეწყალების მოძღვრებას, უარყოფდნენ ნების თავისუფლებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საყოველთაო ცოდვისა და მონანიების დოგმას. ამ ნიადაგზე ისინი აგებდნენ სრულყოფილების მორალს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა ეკლესიის შუამდგომლურ როლს. O-ის ცენტრი იყო პორ-როიალის მონასტერი (ვერსალის მახლობლად). მოძრაობაში მონაწილეობდნენ უნ-ტები, სწავლულები, მწერლები (მ. შ. ჟ. *რასინი*, ბ. *პასკალი* და სხვ.). პაპობამ დაგმო O. როგორც მწვალებლური მოღვაწეობა, დევნიდა მის მიმდევრებს, კ. იანსენის წიგნი „ავგუსტინე" (გამოიცა 1640) „აკრძალულ წიგნთა ინდექსში" შეიტანეს. პორ-როიალის მთავარი ხელმძღვანელი ანტუან არნო გააძევეს სორბონიდან. ბ. პასკალის „წერილები პროვინციელს" საჯაროდ დაწვეს. მოგვიანებით დაანგრიეს პორ-როიალი. მოძრაობის ხელმძღვანელებმა დატოვეს საფრანგეთი. O-ის მრავალი მიმდევარი გადავიდა ჰოლანდიაში, სადაც დღესაც არსებობს იანსენისტური უტრეხტის ეკლესია.

ლიტ.: Cognet L., Le jansénisme, P., 1961.

იან III სობესკი (Jan III Sobieski) (17. VIII. 1629, ოლესნო, — 17. VI. 1696, ვილიანუვი), პოლონელი მხედართმთავარი (1665). მიიღო სამეფოს დიდი მარშლობა (1667), სამეფოს მთავარსარდლობა ხოტინის ბრძოლაში (11. XI. 1673). ოსმალებზე გამარჯვების შემდეგ მეფედ აირჩიეს (21. V. 1674). 1683 კავშირი დაამყარა ავსტრიასთან. სარდლობდა პოლ. ჯარებს; ავსტრიელებთან ერთად დაამარცხა ოსმალები ვენასთან გამართულ (1683 წ. 12 სექტ.) ბრძოლაში, მაგრამ ამ გამარჯვებამ არაფერი არ მოუტანა პოლონეთს. 1686 დადო „მუდმივი ზავი" რუსეთთან, რ-მაც დასაბამი მისცა პოლ.-რუს. თანამშრომლობას. ცდილობდა რეჩ პოსპოლიტაში მემკვიდრეობითი მონარქიის შემოღებას, რაც ვერ განახორციელა პოლ. მაგნატების წინააღმდეგობის გამო.

ი. იანონისი.

ი ა ნ ლ ი-ბ ე ნ ი. „ცამეტი იმპერატორი" (ფრაგმენტი). ტუში და წყლის საღებავები აბრეშუმზე. ნატიფი ხელოვნების მუზეუმი, ბოსტონი.

ნ. იანჭოშვილი.

ნ. ი ა ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი. „მამის პორტრეტი.“ 1959. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ა. იანშინი.

ᲘᲐᲜᲡᲝᲜᲘ იული ედუარდის ძე (1835—1893), რუსი სტატისტიკოსი და ეკონომისტი. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სტატისტ. საბჭოს წევრი, მეცნ. აკად. წ.-კორ. (1892), საერთაშ. სტატისტ. ინ-ტისა და საზღვარგარეთის ბევრი სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი მონოგრაფია სტატისტ. ისტორიისა და თეორიის შესახებ. თავის შრომებში აღწერა გლეხთა გაჭირვება, რაც 1861 რეფორმას მოჰყვა. 1878—80 გამოსცა ორტომეული — „რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შედარებითი სტატისტიკა“, სადაც მკვეთრად გააკრიტიკა სტატისტ. სამსახური მეფის რუსეთში. ფუნდამენტური კურსი— „სტატისტიკის თეორია“ (1885—1913 წლებში 5-ჯერ გამოიცა) სამი ათეული წლის მანძილზე სტატისტ. ძირითადი სახელმძღვანელო იყო.

ᲘᲐᲜᲣᲡᲘ (Janus), რომაულ მითოლოგიაში დროის, კარის და კარიბჭეების, შესასვლელ-გასასვლელის, ყოველივე დასაწყისისა და დასასრულის, ყველა საქმის წამოწყების ღვთაება. თავდაპირველად Ი. ითვლებოდა ცისა და მზის, წელიწადის, დროის, თვისა და დღის ღვთაებად. მისი თვე იყო წელიწადის პირველი თვე იანვარი, მისდამი მიძღვნილი მთავარი დღესასწაული კი წელიწადის პირველი დღე (Kalendae Januarius). Ი-ს ორსახოვან მამაკაცად გამოსახავდნენ, ერთი სახე, ყმაწვილისა, წინ ჰქონდა მიქცეული, მეორე—მოხუცებულისა, უკან. გადატანითი მნიშვნელობით Ი-ს ორპირა, გაიძვერა ადამიანს უწოდებენ.

ᲘᲐᲜᲣᲡᲘ, პლანეტა *სატურნის* თანამგზავრი, ხილული *ვარსკვლავიერი სიდიდე* საშ. ოპოზიციაში 14, პლანეტიდან საშ. დაშორება 158 ათ. *კმ*. გარემოქცევის სიდერული პერიოდი 17,98 *სთ*. დიამეტრი 350 *კმ*. აღმოაჩინა ო. დოლფუსმა 1966.

ᲘᲐᲜᲭᲝᲨᲕᲘᲚᲘ ნათელა არჩილის ასული (დ. 28. VIII. 1918, ქ. გურჯაანი), ქართველი საბჭ. ფერმწერი და გრაფიკოსი, საქ. სსრ სახ. მხატვარი (1976). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1943). უმთავრესად მუშაობს პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრში. Ი-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დეკორატიულობა, ფსიქოლოგიზმი, პოეტურობა, პირობითობა, ფერწერულობა, კონტრასტულობა. ნამუშევრები: „ნინო ჭავჭავაძე“ (საქ. სსრ ხელოვნების მუზეუმი, 1958), ავტოპორტრეტი (1959), ანა კალანდაძის (1961), ზინა კვერენჩხილაძის (1962) და სხვ. პორტრეტები; პეიზაჟები — „გაზაფხული გომბორზე“ (1968), „სხალთა“ (1968), „ნიქოზის ეკლესია“ (1975), „მცხეთის ჯვარი“ (1967), „გურჯაანის ყველაწმინდა“(1977), „კვარას ციხე“ (1974), „ომალო“ (1969), „ვანის ქვაბები“ (1978) და სხვ. (ყველა ავტორის საკუთრება).

ᲘᲐᲜᲨᲐᲝ, ენეოლითის ხანის (ძვ. წ. III ათასწლ. — ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყ.) არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო ჩინეთის ჩრდ.-აღმ. ტერიტორიაზე. სახელი ეწოდა ხენანის პროვინციაში მდ. ხუანხეს პირას, სოფ. Ი-ში აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის სამიწათმოქმედო ნამოსახლარის მიხედვით. Ი-ს კულტურისათვის დამახასიათებელია მოხატული კერამიკა, რ-ის მსგავსი აღმოჩენილია *ანაუში*, ტრიპოლიეში, სუსაში და აზიისა და სამხრ. ევროპის სხვა ადრინდ. სამიწათმოქმედო კულტ. ძეგლებში. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას, თევზჭერას და ნადირობას; იყენებდა ქვის იარაღს. ძვ. წ. III ათასწლ. ბოლოს ჩნდება სპილენძის გამოყენების ნიშნები. საზ. წყობა — მატრიარქატი.

ლიტ.: Всемирная история в десяти томах, т. 1, М., 1956.

ᲘᲐᲜᲨᲘᲜᲘ ალექსანდრე ლეონიდის ძე [დ. 15 (28). III. 1911, ქ. სმოლენსკი], საბჭ. გეოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). Ი. მეცნიერულად და პრაქტიკულად ამუშავებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგიის საკითხებსა და ტექტონიკის თეორ. პრობლემებს. 1956-იდან ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტის რეგიონული ტექტონიკის განყ-ბას. 1958-იდან სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის გეოლ. და გეოფიზ. ინ-ტის დირექტორის მოადგილეა. ბუნების მკვლევართა მოსკ. საზ-ბის პრეზიდენტი (1967-იდან), მრავალი საბჭოთა და უცხოეთის სამეცნ. საზ-ბის წევრი, მონღ. სრ მეცნ. აკად. უცხ. წევრი. მინიჭებული აქვს აკად. ა. კარპინსკის სახ. პრემია (1953) და მისივე სახელობის მედალი (1973). სსრკ სახელმწ. პრემია (1969, 1978). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ᲘᲐᲜᲨᲘᲜᲘ მიხეილ მიხეილის ძე [20. X (2. XI). 1902, იუბნოვი, ახლანდ. კალუგის ოლქი,—17. VII. 1976, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი და რეჟისორი, სსრკ სახ. არტისტი (1955). 1924-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. სამხატვრო თეატრის მსახიობი. წლების მანძილზე წარმატებით ასრულებდა ლარიოსიკის („ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“), ჩებუტიკინის, სიმეონოვ-პიშჩიკის, ტელეგინის, სორინის (ჩეხოვის „სამი და“, „ალუბლის ბაღი“, „ძია ვანი“, „თოლია“), გასპარის („ოლეშას „სამი ბღენძი)“ და სხვ. როლებს. სამხატვრო თეატრში მუშაობის პარალელურად ხელმძღვანელობდა მოსკ. ბოშათა თეატრ „რომენს“ (1937—41) და მოსკ. სტანისლავსკის სახ. დრამ. თეატრს (1950—63). დადგმებიდან აღსანიშნავია: ფ. გარსია ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ (1939) და „მშვენიერი მეწალე ქალი“ (1941), „მაკარ ჩუდრა“ მ. გორკის მიხედვით (1939), ს. ერმოლინსკის „გრიბოედოვი“ (1951) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ᲘᲐᲜᲪᲘᲣᲐᲜᲘ, ქალაქი ჩრდ. ჩინეთში, შანსის პროვინციაში. დაახლ. 350 ათ. მცხ. (1972). რკინიგზის სადგური. დიდი ქვანახშირის აუზის ცენტრი. მეტალ. ქ-ნა, ქიმ. და ცემენტის მრეწველობა.

ᲘᲐᲜᲫᲘ, ი ა ნ ძ ი ა ნ ი, უდიდესი მდინარე ევრაზიაში (ჩინეთი). სიგრძე 5800 *კმ*, აუზის ფართ. 1808,5 ათ. *კმ*². (სხვა მონაცემებით, შესაბამისად, 5980 *კმ* და 1827 *ათ. კმ*²). სათავე აქვს ტიბეტის ზეგნის ცენტრ. ნაწილში, ტანგლისა და კუკუშილის ქედების მყინვარებში, 5500 *მ* სიმაღლეზე. წარმოიქმნება მდ-ების ჩუმარისა და ულან-მურენის შეერთებით. ერთვის წყნარი ოკეანის აღმ. ჩინ. ზღვას. შესართავთან ქმნის დელტას. Ი-ის შენაკადებია: მარჯვ. — ციანძიანი, იუანძიანი, განძიანი; მარცხ. — იალუნძიანი, მინძიანი, ძიალინძიანი, ხანშუი.

ზემოთში და შუაწელში მთის მდინარეა, ხეობა კლდოვანია, კალაპოტი — ჭოროფიანი. ქვემოთში ბევრია კუნძული და წყალმარჩხი ადგილი. ნაპირები დაბალია, ზოგან დაჭაობებული. მდინარის სიგანე 600 *მ*-იდან 2 *კმ*-მდეა. ხეობაში ბევრია ტბა.

მდინარის რეჟიმი ძირითადად მუსონური ჰავითაა გაპირობებული. ზემოთში რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს მყინვარებისა და თოვლის დნობა, ქვემოთში — ზღვის მოქცევა და მიქცევა. წყალდიდობა იცის ზაფხულში (მაქს. ივლ.-აგვ.) მუსონური წვიმების გამო, წყალმცირეა ზამთარში (მინ. იანვ.-თებ.). წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 34 ათ. *მ*³/*წმ*, წლ. ჩამონადენი — 1070 *კმ*³. მდინარეს წელიწადში ზღვაში ჩააქვს საშუალოდ 280—300 მლნ. *ტ* მყარი ნატანი.

Ი. ქვეყნის უდიდესი სატრანსპორტო მაგისტრალია. სანაოსნოა შესართავიდან 2850 *კმ*. მდინარის აუზი ჩინეთის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სას.-სამ. რ-ნია; აქ ცხოვრობს ჩინეთის მოსახლეობის 1/3. Ი-ს ნაპირებზე გაშენებულია ქ-ები: შანხაი, ნანკინი, უხანი და სხვ.

იანძი. მდინარის შუა ელვა.

ᲘᲐᲜᲯᲝᲣ, ქალაქი აღმ. ჩინეთში, ძიანსუს პროვინციაში. 200 ათ-ზე მეტი მცხ. (1975). ნავსადგური დიდ არხზე. ჩინ. მებრინჯეობის რ-ნის ცენტრი. ბრინჯსაცეხი მრეწვ. (აქედან სახელწ. „Ი.“—ბრინჯის ქალაქი), საფქვავი, ზეთსახდელი, საფეიქრო საწარმოები. სას.-სამ. იარაღის წარმოება.

ᲘᲐᲝ (საკ. სახელწ. მ ი ნ ი, ს ი Ჯ ი ა, ბ ა ნ ბ ა ო. ჩინურად — ი ა ო ძ ი ა), ჩინ. სრ გუანდუნის და ხუნანის პროვინციებსა და გუანსი-ჯუანის ავტ. რ-ნში მცხოვრები ხალხი. სახლობენ აგრეთვე ჩრდ. ვიეტნამის მთიან რ-ნებში და ლაოსში. რაოდ. ჩინეთში 666 ათ. კაცი (1953, აღწერა), ვიეტ. სრ-ში — 250 ათ. კაცი (1969, შეფასება). ენა განეკუთვნება ჩინეთ-ტიბეტურ ენათა ოჯახის მიაო-იაოს ჯგუფს. რელიგია — ანიმიზმი. ჩინ. სრ-ში მისდევენ სათოხნ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და ხე-ტყის დამუშავებას.

ᲘᲐᲝ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-დას. ნაწილში, ოსაკის პრეფექტურაში. ოსაკის ქალაქ-თანამგზავრი. 241 ათ. მცხ. (1973). ლითონდასამუშ., მანქანათსაშ., ქიმ., საფეიქრო (ბამბეულის), კვების მრეწველობა.

ᲘᲐᲞᲘ (Yap), ვულკანურ კუნძულთა ჯგუფი (4 დიდი, 10 პატარა) წყნარ ოკეანეში, კაროლინის კ-ების არქიპელაგის დას. ნაწილში. აშშ-ის სამეურვეო ტერიტორია. ფართ. 100 *კმ*². სიმაღლე 178 *მ*-მდე. ადგილ. მოსახლეობაა მიკრონეზიელები (დაახლ. 4 ათ. კაცი). ჰავა სუბტროპიკული, ოკეანური. ნალექები 3000 *მმ*-მდე წელიწადში. კ-ებზე მარადმწვანე ტყეა, შიგა რ-ნებში — სავანა. თევზჭერა, მიწათმოქმედება (ტარო, ბანანი, ხეხილი). ყურადღებას იქცევს ადგილ. მოსახლ. „ფული“ — 2 *მ* დიამეტრის ქვის დისკოები.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ერი, იაპონიის ძირითადი მოსახლეობა (99%). საერთო რაოდ. 111 მლნ. (1975, შეფასება), იაპონიის გარდა ცხოვრობენ აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში და ლათ. ამერიკის სხვა ქვეყნებში. ლაპარაკობენ იაპ. ენაზე, ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან მონღოლოიდურ რასას, რელიგია — ბუდიზმი, მაჰაიანის ფორმა, რ-შიც მრავალი სექტა შედის. მასთან ერთად აღიარებულია სინტოიზმი. ტომთა ჯგუფის სახით Ი. ჩამოყალიბდნენ ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებში სამხრ. კორეის ნ.-კ-იდან ენეოლითური კულტ. მქონე იაელთა დიდი ჯგუფის გადმოსახლების შედეგად იაპ. კ-ებზე რ-ებზეც მანამდე დასახლებული იყვნენ აინები და ნაწილობრივ მალაიურ-პოლინეზიური ტომები. IV ს-ში ჩამოყალიბდა პირველი ერთიანი იაპ. სახელმწიფო (იამატოს სამეფო). ამით დასრულდა ძვ. იაპონელ ტომთა კონსოლიდაცია ერთ ეროვნებად, რ-იც შემდგომში განვითარდა ჩინ., კორ., ინდ. ძვ. ცივილიზაციის გავლენით. XIX ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა Ი-ის ბურჟ. ერი.

იაპონია (იაპ. ნიპონი, ნიჰონი).

I. ზოგადი ცნობები

ი. — სახელმწიფო წყნარი ოკეანის დას. ნაწილში, აზიის აღმ. სანაპიროსთან, იაპონიის კუნძულებზე. ყველაზე დიდი კ-ებია — *ჰონსიუ, ჰოკაიდო, კიუსიუ, სიკოკუ*. ი-ის შემადგენლობაშია დაახლ. 4 ათ. კუნძული. ფართ. 372,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 114,2 მლნ. კაცი (1977). დედაქალაქი — ტოკიო. ოფიც. ენა —იაპონური. ეროვნ. დღესასწაულია 29 აპრ.—იმპერატორის დაბადების დღე (1901). ოფიც. *კალენდარი*—გრიგორიანული. ფულის ერთეულია იენა. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 იანვ.) 1000 იაპ. იენა = 2,68 მანეთს.

ადმინისტრაციულად ი. იყოფა 46 პრეფექტურად და ჰოკაიდოს საგუბერნატოროდ.

II. სახელმწიფო წესწყობილება

ი. კონსტ. მონარქიაა. მოქმედებს 1946 კონსტიტუცია; ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რ-იც შედგება ორი პალატისაგან: მრჩეველთა პალატისა (მოსახლ. 6 წლით ირჩევს, 3 წელიწადში ერთხელ პალატის შემადგენლობის ნახევარი იცვლება) და წარმომადგენელთა პალატისაგან (მოსახლ. 4 წლით ირჩევს). ორივე პალატის არჩევნები პირდაპირია, ფარული კენჭისყრით. საარჩევნო უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეს 20 წლის ასაკიდან. სახელმწიფოს მეთაურია იმპერატორი, კონსტ. თანახმად, მას სუვერენული ხელისუფლება არ გააჩნია — ყველა სახელმწ. საქმეს იგი მინისტრთა კაბინეტის რჩევითა და თანხმობით წყვეტს. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მინისტრთა კაბინეტს — მთავრობას, რ-საც პრემიერ-მინისტრი მეთაურობს. მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ადგილ. მმართველობას პრეფექტურებში ახორციელებს არჩევითი კრება. ასეთივე კრებები არსებობს ქ-ებში, დაბებსა და სოფლებში. სასამართლო სისტემას მეთაურობს ი-ის უზენაესი სასამართლო, რ-იც *კონსტიტუციური სასამართლოს* ფუნქციებსაც ასრულებს. არის აგრეთვე სააპელაციო, ადგილ, დისციპლინური (პირველადი) სასამართლოები და სხვ.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

ი-ს აკრავს წყნარი ოკ. და მისი ზღვები (ოხოტის, იაპონიისა და აღმ. ჩინეთის). სანაპირო ხაზის საერთო სიგრძეა დაახლ. 30 ათ. *კმ* (აქედან 12 ათ. *კმ*-ზე მეტი მოდის კ. ჰონსიუზე, დაახლ. 10 ათ. *კმ* — კ. კიუსიუზე).

ი-ის ტერიტ. დაახლ. 3/4 უჭირავს მთებს, რ-თაგან 16 მწვერვალის სიმაღლე 3 ათ. *მ*-ზე მეტია (უმაღლესია ვულკანი ფუძიამა, 3776 *მ*). გრძელდება მთათწარმოშობის პროცესები. 192 ვულკანიდან 58 მოქმედია. ხშირია მიწისძვრა. სანაპიროს ანგრევს ხშირი *ცუნამი*. ყველაზე დიდი ვაკეებია კანტო კ. ჰონსიუზე და ისიკარი — კ. ჰოკაიდოზე. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, სპილენძისა და რკინის მადანი, გოგირდი, ნავთობი, ბუნებრივი აირი და სხვ.

ჰავა ტერიტ. დიდ ნაწილში სუბტროპ., მუსონურია, ჩრდ-ით—ზომიერი, სამხრ. პატარ-პატარა კ-ებზე—ტროპიკული. ზამთრის ტემპ-რა ჩრდ-ით 0°C-ზე დაბალია, ტერიტ. დიდ ნაწილში 4—5°C, ზაფხულისა, შესაბამისად, 16—17°C და 20°C-ზე მეტი. ნალექები ჩრდ-ით 1500 *მმ*-მდეა წელიწადში, დანარჩენ ტერიტორიაზე — 3000 *მმ*-მდე.

მდ-ები მოკლე და წყალუხვია. დიდი მდ-ებია სინანო და ისიკარი. ტბები ორი ტიპისაა — ლაგუნური (ყველაზე დიდია კასუმიგაურა) და ტექტონ.-ვულკ. (ბივა). ნიადაგები უმთავრესად წითელმიწაა. ტყეს უჭირავს ი-ის ტერიტ. დაახლ. 67%, აქედან დაახლ. 36% კორომებია, 40%-ზე მეტი — აღკვეთილები და ეროვნ. პარკები. მთავარი ჯიშებია წიფელი, მუხა, ფიჭვი, ნაძვი და სოჭი. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. ბინადრობს მგელი, მელა, მაჩვი, ენოტისებრი ძაღლი, წავი და სხვ. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

IV. მოსახლეობა

ი. ერთეროვანი ქვეყანაა. მოსახლ. 99%-ზე მეტი *იაპონელებია* (მ. შ. რიუკიუელები). კ. ჰოკაიდოზე შემორჩა ქვეყნის უძველესი მოსახლ. — აინები (დაახლ. 20 ათ. კაცი), რ-ებმაც თითქმის დაკარგეს თვითმყოფი კულტურა და ენა. ცხოვრობენ აგრეთვე კორეელები, ჩინელები და სხვ. ძირითადი რელიგიაა *ბუდიზმი* და *სინტოიზმი* (1945-მდე სახელმწ. რელიგია), ნაწილობრივ გავრცელებულია ქრისტიანობაც.

მოსახლ. საშ. წლ. მატებამ 1970—75 შეადგინა 1,4%. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. (52,2 მლნ. კაცი, 1975) დაახლ. 27% დასაქმებულია მრეწველობაში, 22%—ვაჭრობაში, 23%—მომსახურების სფეროში, 12,6% — სოფ. მეურნ., სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში, დანარჩენი—სხვა დარგებში. 1977 ი-ში იყო 1,1 მლნ. უმუშევარი. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 300 კაცი 1*კმ*²-ზე (1977). მოსახლ. 75% ქალაქად ცხოვრობს. 10 ქალაქში 1 მლნ-ზე მეტი მცხოვრებია. უდიდესი ქალაქია ტოკიო (11,4 მლნ. მცხ., 1978). დიდი ქ-ებია (ათ. მცხ., 1975): ოსაკა (2980), იოკოჰამა (2238), ნაგოია (2030). მეგალოპოლისი ტოკაიდოში, რ-იც გაჭიმულია 600 *კმ*-ზე ტოკიოდან ოსაკამდე (ი-ის ტერიტ. დაახლ. 19%), ცხოვრობს ქვეყნის მოსახლ. 50%-ზე მეტი. დიდი საქალაქო აგლომერაციებია კიტაკიუსიუ — ფუკუოკა (დაახლ. 2,5 მლნ. მცხ.), ოკაიამა — ჰიროსიმა (1,5 მლნ-ზე მეტი მცხ.), ტოიამა — ტაკაოკა (1 მლნ-ზე მეტი მცხ.) და სხვ.

V. ისტორიული ნარკვევი

ძვ. წ. დაახლ. 7500—დაახლ. 300 ი-ის ტერიტორიაზე არსებობდა ნეოლითური კულტურა. ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან გაძლიერდა სოც. ფენებად დაშლა. გაჩნდნენ მონები. სოფლის (გვარის) მეთაური დიდი უფლებებით სარგებლობდა, იგი განაგებდა ადრინდ. სინტოს კულტურასაც (იხ. *სინტოიზმი*). ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. დასასრულს დაიწყო ტომობრივი კავშირების აღმოცენება. III ს-ში შეიქმნა მსხვილი ტომობრივი კავშირი იამატო, რ-ის ბაზაზე კლასობრივი საზ-ბის ჩამოყალიბების პროცესში წარმოიქმნა იაპ. სახელმწიფო. VI ს-იდან ი-ში გავრცელდა ბუდიზმი. 645, ე. წ. ტაიკას გადატრიალების შემდეგ, ი-ში შეიქმნა ადრინდ. ფეოდ. ცენტრალიზებული სახელმწიფო. 710 აშენდა პირველი მუდმივი დედაქალაქი ნარა, 784 დედაქალაქი გადაიტანეს ნაგაოკაში, 794 — ჰეიანში (XII ს-იდან კიოტო). ქვეყნის ეკონ. საფუძველი იყო მიწაზე სახელმწ. ფეოდ. საკუთრება და მიწათსარგებლობის ნადელური გლეხური სისტემა. X ს. შუა ხანებში მიწაზე სახელმწ. ფეოდ. საკუთრების ნაცვლად განმტკიცდა კერძო ფეოდ. საკუთრება. მიწათმფლობელობის გაბატონებული ფორმა გახდა ფეოდ. მამული — სიოენი. 1192-იდან ი-ში დამყარდა სამხ.-ფეოდ. ხელისუფლების — *სიოგუნატის* სისტემა. იმპერატორები ნომინალური სუვერენები იყვნენ, სახელმწ. ხელისუფლება კი ეკუთვნოდა მსხვილი ფეოდ. გვარების წარმომადგენლებს, რ-ებიც მეზობლურ ერთობით მართავდნენ ქვეყანას სიოგუნის (სარდლის) ტიტულით (მინამოტო, 1192 — 1333; ასიკაგა, 1335 ან 1338—1573; ტოკუგავა, 1603—1867). სიოგუნები ეყრდნობოდნენ სამხ.-ფეოდ. წოდებას — ბუსს. ბუსის დაბალ ფენას შეადგენდნენ წვრილი სამხ. აზნაურები — *სამურაები*. XIII ს-ში ი. მონღოლთა დაპყრობის საფრთხის წინაშე დადგა. 1274 და 1281 მონღ. ხანმა ხუბილაიმ ორი სამხ.-საზღვ. ლაშქრობა მოაწყო ი-ის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი მონღოლთათვის უშედეგოდ დამთავრდა. XIV—XVI სს-ში მიწათმფლობელობის მემამულური სისტემა შეცვალა სამთავროების სისტემამ, ფეოდალებს შორის ძირითადი ფიგურა გახდა მთავარი — დაიმიო. მსხვილი სამფლობელოების გაჩენას მოყვა ფეოდ. დაქუცმაცებულობა. XV ს. I ნახევრიდან XVI ს. შუა წლებამდე ი-ში თითქმის განუწყვეტლად იყო გლეხთა აჯანყებები. XVI ს-ში ი-ში მოვიდნენ ევროპელები (1542 — პორტუგალიელები, 1584 — ესპანელები), რ-ებმაც იაპონელებთან ვაჭრობა გააჩაღეს. ევრ. მისიონერებმა დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება. XVI ს-ში ი. ფეოდალურად ძლიერ დაქუცმაცებული იყო. ასიკაგას გვარის სიოგუნების ცენტრ. მთავრობა ფაქტობრივად აღარ მართავდა ქვეყანას. ასეთ პირობებში იქმნებოდა ევრ. ქვეყნების მხრივ ი-ის დამორჩილების საფრთხე. XVI ს. II ნახევარში ფეოდ. მხედართმთავრებმა ოდა ნობუნაგამ (1534—82), ტოიოტომი ჰიდეიოსიმ (1536—98) რამდენჯერმე ილაშქრეს ქვეყნის გაერთიანების მიზნით, ხოლო იეიასუ ტოკუგავამ (1542—1616) შეძლო კიდეც სიოგუნების ახ. დინასტიის დაარსება. ტოკუგავას დროს ი. ცენტრალიზებული ფეოდ. აბსოლუტისტური სახელმწიფო გახდა. XVII ს. 30-იანი წლებიდან უცხოელებს აეკრძალათ ი-ში ჩასვლა, ხოლო იაპონელებს — თავისი ქვეყნის დატოვება. XVIII ს. დასაწყისიდან ტოკუგავას ფეოდ. სახელმწიფო ხანგრძლივმა კრიზისმა მოიცვა, 1601—1867 ქვეყანაში მოხდა 1640-ზე მეტი გლეხთა აჯანყება, მათგან დაახლ. 711 — XIX ს. I ნახევარში. ქვეყნის ეკონომიკაში თანდათან ვითარდებოდა კაპიტალ. წყობა. XIX ს. 50 — 60-იან წლებში ი. აშშ-ისა და ევრ. სახელმწიფოების ექსპანსიის ობიექტი გახდა. 1854 აშშ-მა ი. აიძულა უცხ. ხომალდებისათვის გაეხსნა ი-ის ნავსადგურები — სიმოდა, ჰაკოდატე. 1854—58 აშშ-მა და ევრ. სახელმწიფოებმა ი-ს თავს მოახვიეს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და იძულებით ჩართეს იგი მსოფლიო საქონელბრუნვაში.1867—68 ი-ში მოხდა ე. წ. დაუმთავრებელი ბურჟ. რევოლუცია (მეიძი ისინი). ტოკუგავას მთავრობა დაემხო, ხელისუფლება ბურჟ.-მემამულური ბლოკის ხელში გადავიდა. რევ. შემდეგ ი. კაპიტალიზმის პერიოდში შევიდა; XIX ს. 90-იანი წლებიდან ი-ში დაიწყო ორგანიზებული მუშათა მოძრაობის განვითარება. XIX—XX სს. მიჯნაზე ი-ის კაპიტალიზმი შევიდა იმპერიალიზმის სტადიაში და სამხ.-ფეოდ. ხასიათი მიიღო. 1894—95 ი-მ გააჩაღა მტაცებლური ომი ჩინეთის წინააღმდეგ, 1904—05 კი დაიწყო რუს.-იაპ. ომი. 1905 ი-მ პროტექტორატი დაამყარა კორეაზე, 1910 დაიპყრო იგი და თავის კოლონიად აქცია (ი-ის საგენერალ-გუბერნატორო). I მსოფლიო ომში ი. 1914 ჩაება ანტანტის ქვეყნების მხარეზე, მიიტაცა მთელი რიგი ტერიტორიები და განიმტკიცა პოლიტ. და ეკონ. პოზიციები ჩინეთში. ი-ში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგად და რუსეთის 1917 დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით, 1918 ქვეყანაში გაიშალა ფართო სახ. მოძრაობა — *„ბრინჯის ჯანყები“*. 1922 შეიქმნა ი-ის კომპარტია (იკპ). 1918—22 ი-ის ჯარებმა ინტერვენცია მოაწყვეს საბჭ. შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ დამარცხდნენ. II მსოფლიო

მ. იანშინი.



იაპონიის სახელმწიფო გერბი.

იაპონია

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები .51
II. სახელმწიფო წესწყობილება . . . 51
III. ბუნება 51
IV. მოსახლეობა . . . 51
V. ისტორიული ნარკვევი 51
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 53
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი. . 53
VIII. შეიარაღებული ძალები 54
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 54
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი . . . 55
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია 55
XII. ლიტერატურა . . . 56
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. 56
XIV. მუსიკა 57
XV. ბალეტი 57
XVI. დრამატული თეატრი 57
XVII. კინო 58

ანტიასამხედრო დემონსტრაცია ტოკიოში. 1977 ნოემბერი.

მთა ფუჯიამა. წინა პლანზე ჩქაროსნული ავტოსტრადა.

პაკონეს ეროვნული პარკი.

ომის მომზადებისა და გაჩაღების პერიოდში Ი. ყველაზე ადრე დაადგა აგრესიის გზას. 1931 Ი-ის იმპერიალისტებმა მიიტაცეს ჩინ. ჩრდ-აღმ. პროვინცია, სადაც შეიქმნა მარიონეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო, 1932—36 იაპონელებმა დაიკავეს ჩინ. პროვინციები ჟეხე, ხებეი და ჩახარი. 1933 Ი. გამოვიდა ერთა ლიგიდან, ჰიტლერულ გერმანიასთან ერთად Ი. იყო „ანტიკომინტერნული პაქტის" (1936) ერთ-ერთი ინიციატორი და აქტ. მონაწილე. 1937 ივლისში Ი-მ დაიწყო ომი მთელი ჩინ. მიტაცებისათვის.

აშშ და დიდი ბრიტანეთი არა თუ ეწინააღმდეგებოდნენ Ი-ის აგრესიას, არამედ აშკარად აქეზებდნენ მას. ამ ქვეყნებიდან Ი. იღებდა სამხ. მასალასა და ნედლეულს. 1937—40 Ი-მ მიიტაცა ცენტრ. ჩინ. მნიშვნელოვანი პროვინციები, შეიჭრა ინდოჩინეთში, მრავალჯერ მოაწყო სამხ. პროვოკაციები სსრკ-სა და მონღ. სრ საზღვარზე (ხასანის ტბაზე, 1938; მდ. ხალხინ-გოლზე, 1939 და სხვ.).

II მსოფლიო ომში Ი. ჰიტლერული გერმ. და ფაშისტური იტალ. მოკავშირე იყო. Ი-მ სსრკ-თან დადო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ (1941 აპრ.), მაგრამ იმთავითვე არღვევდა მას. სსრკ-ის საზღვარზე Ი-მ თავი მოუყარა მილიონიან არმიას, აწყობდა პროვოკაციებს, ძირავდა და იტაცებდა საბჭ. სავაჭრო ხომალდებს. Ი. ცდილობდა აზიიდან და წყნარი ოკეანიდან გაედევნა თავისი იმპერიალ. კონკურენტები — აშშ და დიდი ბრიტანეთი და ომის გამოუცხადებლად 1941 წ. 7 დეკ. თავს დაესხა მათ სამფლოველოებს წყნარ ოკეანეში. 1942 შუა ხანებში მიიტაცა მნიშვნელოვანი ტერიტორიები წყნარ ოკეანესა და სამხრ.-აღმ. აზიაში. გერმ. ჯარების განადგურებამ სსრკ-გერმ. ფრონტზე განაპირობა იმპერიალ. Ი-ის დამარცხება. იგი 1943-იდან თანდათან კარგავდა მიტაცებულ ტერიტორიებს. Ი-ის მიერ სსრკ-თან ხელშეკრულების ვალდებულების სისტემ. დარღვევის გამო 1945 წ. 5 აპრ. სსრკ-მა გამოაცხადა ნეიტრალიტეტის შესახებ საბჭ. კავშირ-იაპ. ხელშეკრულების დენონსირება. 1945 აგვ-ში ამერ. სამხ.-საჰაერო ძალებმა ატომური ბომბები ჩამოაგდეს ჰიროსიმასა (6 აგვ.) და ნაგასაკიზე (9 აგვ.). ეს დაბომბვა, რ-საც მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლ. დიდი მსხვერპლი, არ იყო გამოწვეული სამხ. აუცილებლობით, იგი უწინარეს ყოვლისა, პოლიტ. მიზნებს ისახავდა.

II მსოფლიო ომის სწრაფად დამთავრების მიზნით, საბჭ. მთავრობამ მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმების შესაბამისად, 1945 წ. 8 აგვ. ომი გამოუცხადა იმპერიალ. Ი-ს და შეუერთდა აშშ-ის, დიდი ბრიტ. და ჩინ. მთავრობების პოტსდამის დეკლარაციას (1945 წ. 26 ივლ.), რ-იც მოითხოვდა Ი-ის უსიტყვო კაპიტულაციას, ითვალისწინებდა მის შემდგომ დემილიტარიზაციასა და დემოკრატიზაციას. საბჭ. ჯარებმა მონღ. სრ-ის, რ-მაც ასევე ომი გამოუცხადა Ი-ს, ჯარებთან ერთად, გაანადგურეს კვანტუნის არმია, გაათავისუფლეს მანჯურია, ჩრდ. კორეა, სამხრ. სახალინი და კურილის კ-ები. 1945 წ. 2 სექტ. Ი-მ ხელი მოაწერა აქტს უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

იმპერიალ. Ი-ის განადგურებამ იაპ. ხალხს ძირეული სოც.-ეკონ. გარდაქმნების შესაძლებლობა დაუსახა. მაგრამ აშშ, რ-მაც მოკავშირე სახელმწიფოების სახელით ერთპიროვნულად დაიკავა Ი., მთავარ მიზნად ისახავდა შეექმნა Ი-ზე კონტროლის ფართო და ყოვლისმომცველი სისტემა, რომ გადაექცია იგი აშშ-ზე მთლიანად დამოკიდებულ სახელმწიფოდ. სსრკ მოითხოვდა პოტსდამის დეკლარაციის ყველა პირობისა და მოკავშირეების სხვა შეთანხმებების (ომიანობის დროინდელი) უსიტყვო შესრულებასა და ღონისძიებების გატარებას, რ-იც ამოძირკვავდა იაპ. მილიტარიზმის ფესვებს და უზრუნველყოფდა ქვეყნის გადაქცევას მშვიდობისმოყვარე დემოკრ. სახელმწიფოდ.

სსრკ-ის დაჟინებითი მოთხოვნით, 1945 დეკ. სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტ. საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკ. თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება შორეული აღმოსავლეთის კომისიის შექმნისა (რ-იც შეიმუშავებდა Ი-თვის ძირითად პოლიტ. კურსს) და Ი-თვის სამოკავშირეო საბჭოს შექმნის შესახებ (რ-იც იქნებოდა Ი-ში მოკავშირე სახელმწიფოების მაკონტროლებელი ორგანო). საბჭ. წარმომადგენლების გამოსვლამ ამ ორგანიზაციებში, მუშათა და დემოკრ. მოძრაობის მძაფრმა აღმავლობამ Ი-ში, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და აშშ-ის მოსახლ. ფართო მასების მიერ იაპ. მილიტარიზმის აღორძინების საშიშროების ლიკვიდაციის მოთხოვნამ აშშ აიძულა გაეტარებინა დემოკრ. რეფორმები. 1946 ოქტ. პარლამენტმა მიიღო და 1947 წ. 3 მაისს ძალაში შევიდა Ი-ის ახ. კონსტიტუცია. იმპერატორის პრეროგატივები მკვეთრად შეიზღუდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო IX მუხლი, რ-ის თანახმად, Ი. უარს აცხადებდა ომზე, როგორც საერთაშ. კონფლიქტების გადაჭრის საშუალებაზე და ამ მიზნით შეიარაღებული ძალების შექმნაზე. ნაკლოვანებების მიუხედავად, ახ. კონსტიტუცია წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სახელმწ. წყობილების დემოკრატიზაციის გზაზე. აგრ. რეფორმამ 1946—49 ძირეულად აღმოფხვრა მემამულური მიწათმფლობელობა. დაიწყო სამხ. დამნაშავეებისაგან ეროვნ. სახელმწ. აპარატის წმენდა, პოლიც. სისტემის დეცენტრალიზაცია, გადაისინჯა განათლების სისტემა. დეკარტელიზაციის ღონისძიებებმა გარკვეული დროით შეზღუდეს მსხვილი მონოპ. კონცერნების გავლენა. მაგრამ 1948 დასასრულიდან აშშ-მა თავის საოკუპაციო პოლიტიკაში დაიწყო „უკუსვლის კურსის" გატარება. 1948 დეკ. მიიღეს „ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა", რ-იც ხელს უწყობდა Ი-ის მონოპოლიების პოზიციების აღდგენას. დაიწყო სამხ. დამნაშავეების რეაბილიტაცია. 1950 შეიქმნა პოლიციის სარეზერვო კორპუსი, როგორც Ი-ის მომავალი არმიის ჩანასახი.

სამხ. ინტერვენციამ კორეაში (1950—53) აიძულა აშშ დაეჩქარებინა Ი-თან საზავო ხელშეკრულების დადება. აშშ ვარაუდობდა, რომ საოკუპაციო სტატუსის შეწყვეტა და Ი-ის დამოუკიდებლობის გამოცხადება განამტკიცებდა მემარჯვენე ძალების პოზიციებს Ი-ში და ისინი შეძლებდნენ Ი-ის რემილიტარიზაციასა და უფრო ფართო მხარდაჭერას აღმოუჩენდნენ ამერ. პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში. 1951 წ. 8 სექტ. სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ხელი მოაწერეს Ი-თან საზავო ხელშეკრულებას (სსრკ-სა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს კანონიერ მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული, სსრკ, ჩეხოსლ. სრ და პოლონეთმა უარი განაცხადეს ხელშეკრულების ხელმოწერაზე). ამავე დროს დაიდო ამერიკა-Ი-ის „უშიშროების ხელშეკრულება", რ-მაც აშშ-ს უფლება მისცა Ი-ის ტერიტორიაზე შეექმნ. თავისი ბაზები და განუსაზღვრელი ვადით ჰყოლოდა ჯარი. 1952 წ. 28 აპრ. ძალაში შეედიდა სან-ფრანცისკოს საზავო ხელშეკრულება და ქვეყანაში მთელი ძალაუფლება Ი-ის მთავრობის ხელში გადავიდა. აშშ-მა შეინარჩუნა Ი-ზე მნიშვნელოვანი ეკონ., პოლიტ. და სამხ. კონტროლის უფლებები.

Ი-ს ჩართვამ აშშ-ის სამხ.-სტრატეგიულ სისტემაში და ქვეყნის რემილიტარიზაციის კურსმა მოსახლ. ფართო ფენების მძაფრი წინააღმდეგობა გამოიწვია. იაპ. ხალხის ბრძოლამ საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირეული გადასინჯვისათვის აიძულა პრემიერ-მინისტრი ს. იოსიდა (რ-იც აშკარა პროამერ. პოლიტიკას ატარებდა) 1954 დეკ. გადამდგარიყო. ახ. მთავრობას სათავეში ჩაუდგა ბურჟ.-დემოკრატიული პარტიის (დაარსდა 1954) პრეზიდენტი, ხოლო ამ პარტიის ლიბერალურ პარტიასთან (დაარსდა 1950) შეერთების შემდეგ—1955 ნოემბ. ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტი ი. ჰატოიამა. მან თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზნად გამოაცხადა სსრკ-თან ურთიერთობის ნორმალიზაცია. 1956 წ. 19 ოქტ. ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რ-მაც გამოაცხადა სსრკ-სა და Ი-ს შორის საომარი მდგომარეობის შეწყვეტა და დიპლ. ურთიერთობის აღდგენა. საბჭ. კავშირმა უარი განაცხადა Ი-ის მიმართ ყველა სარეპარაციო პრეტენზიებზე. ორივე მხარე შეთანხმდა გაეგრძელებინა მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დადების თაობაზე. 1956 დეკ. Ი. მიიღეს გაეროში. 1957 სსრკ-სა და Ი-ს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება.

50-იანი წწ. დასაწყისიდან Ი-ის ეკონომიკა სწრაფად განვითარდა, რაც ეფუძნებოდა მშრომელთა სასტიკ ექსპლუატაციას. სამეცნ.-ტექ. პროგრესის შედეგად მკვეთრად გაიზარდა მატერ. წარმოების ეფექტურობა. 60-იანი წწ. დასასრულიდან Ი. საერთო ეროვნ. პროდუქტის და სამრეწვ. წარმოების მოცულობით კაპიტალ. სამყაროში II ადგილზე გამოვიდა (აშშ-ის შემდეგ) და გასაღების ბაზრებისათვის და ნედლეულის წყაროებისათვის საკონკურენტო ბრძოლის ერთ-ერთი აქტ. მონაწილე გახდა. წარმოების კონცენტრაციის პროცესმა ქვეყნის მთელი ეკონომიკა ფაქტობრივად რამდენიმე ძლიერი ფინანს.-მონოპ. ჯგუფის კონტროლს დაუქვემდებარა.

მონოპოლიებისა და რეაქციის შემოტევა, ნაციონალიზმის დანერგვა, ნეოფაშისტური ელემენტების აქტივიზაცია Ი-ის მშრომელების შეუპოვარ წინააღმდეგობას აწყდება. 1955-იდან ყოველწლიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე მილიონობით მშრომელი მონაწილეობს გაფიცვებში, მიტინგებსა და დემონსტრაციებში ეკონ. და პოლიტ. მოთხოვნებით.

Ი-ის ეკონ. ძლიერების ზრდამ კაპიტალ. სამყაროში ძალთა განლაგების მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. გააქტიურდა Ი-ის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. მმართველი ლიბერ.-დემოკრ. პარტიის (ლდპ) მთავრობა თავისი პოლიტიკის საფუძვლად მიიჩნევს აშშ-თან სამხ.-პოლიტ. კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებას და ამ კავშირში Ი-ის პოზიციების განმტკიცებას. 1960 წ. 19 იანვ. ხელი მოაწერეს იაპონია-ამერ. ხელშეკრულებას ურთიერთთანამშრომლობისა და უშიშროების შესახებ, რ-მაც შეცვალა 1951 უშიშროების ხელშეკრულება. საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, რ-იც მოითხოვდა ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამოცხა-

დებას, ახ. ხელშეკრულებამ დაადასტურა აშშ-ის უფლება Ი-ის ტერიტორიაზე იქონიოს თავისი ბაზები და იყოლიოს შეიარაღებული ძალები. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, 1970, იგი ავტომატურად გაგრძელდა და ძალაში დარჩება, სანამ ერთ-ერთი მხარე 1 წლით ადრე არ გამოაცხადებს მისი დენონსირების სურვილს. 60-იან წლებში Ი-ის ეკონ. დაჩქარებულმა განვითარებამ გამოიწვია ეკონ. და სოც. წინააღმდეგობების შემდგომი გამწვავება. გაძლიერდა დისპროპორცია ეკონ. ცალკეულ დარგებს შორის, კიდევ უფრო გაძნელდა სამრეწვ. საწარმოების უზრუნველყოფა სათბობითა და ნედლეულით. 1973 დასასრულიდან Ი-ის ეკონომიკა მოიცვა ომის შემდგომ წლებში ყველაზე სერიოზულმა ჭარბწარმოების ციკლურმა კრიზისმა. სამრეწვ. პროდუქციის მოცულობა 1975 წინა წელთან შედარებით 10,9%-ით და 1973 შედარებით 13,8% შემცირდა. 1976 გაზაფხულიდან დაიწყო კრიზისიდან დუნე გამოსვლა. 1975 თებ. ქვეყანაში იყო 1,1 მლნ. უმუშევარი და 1,4 მლნ. ნახევრადუმუშევარი. მშრომელთა მძიმე მდგომარეობა გააღრმავა ინფლაციის არნახულმა ტემპებმა. სოც. წინააღმდეგობების მკვეთრი გამწვავება გამომჟღავნდა მუშათა და დემოკრ. მოძრაობის აღმავლობაში, მოსახლ. ფართო ფენების მარცხნივ გადახრასა და ლდპ-ის გავლენის დაცემაში. Ი-ის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის არჩევნების შედეგად 1976 დეკ. ლდპ-ს ხმა მისცა ამომრჩეველთა მხოლოდ 41,8%-მა (1955 წ. 62,6 %) და პარტიამ, პირველად დაარსების შემდეგ, ვერ შეძლო არჩევნებზე უმრავლესობის მოპოვება (511-იდან მხოლოდ 249 მანდატი მიიღო). 1976 დეკ. შეიქმნა ახ. მთავრობა ტ. ფუკუდას მეთაურობით; 1978 დეკ. პრემიერ-მინისტრი გახდა მ. ოჰირა. ლდპ-ის გავლენის დაცემას თან მოყვა ოპოზიციური პარტიების — Ი-ის სოციალ. პარტიისა და Ი-ის კომპარტიის ავტორიტეტის ზრდა.

იმპერიალისტებს შორის არსებული წინააღმდეგობების მკვეთრმა გამწვავებამ, სოციალიზმის ქვეყნების როლის გაძლიერებამ მსოფლიო პოლიტიკაში, იმპერიალ. ბანაკში ძალთა განლაგების შეცვლამ Ი-ის მმართველი წრეები აიძულა სერიოზული კორექტივები შეეტანათ თავის საგარეო პოლიტიკაში. 70-იან წწ. დასაწყისიდან მათ გამოაცხადეს ე. წ. მრავალპოლუსიანი დიპლომატიის დოქტრინა, რაც გულისხმობდა დას. ევრ. ქვეყნებთან, სსრკ-სა და ჩინეთთან ურთიერთობის განვითარებას, ამასთანავე Ი-ის როლის გადიდებას აშშ-თან სამხ.-პოლიტ. კავშირში, რასაც კვლავინდებურად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სსრკ-სა და Ი-ს შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეკონ., სამეცნ. და კულტ. კავშირი 1974—76 დაიდო გენ. შეთანხმებები სსრკ-Ი-ის თანამშრომლობის შესახებ კომპენსაციურ საფუძველზე შორეული აღმოსავლეთის ტყის რესურსების ათვისებაში, სამხრ. იაკუტ. ქვანახშირის აუზის დამუშავებაში და სხვ. ტვირთბრუნვა ორივე ქვეყანას შორის 15,4 მლნ. მანეთიდან (1957) 2,3 მლრდ. მანეთამდე (1977) გაიზარდა. მაგრამ კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების გზაზე სერიოზულ სიძნელეებს ქმნის Ი-ის მმართველი წრეების უსაფუძვლო და უკანონო პრეტენზიები საბჭ. ტერიტორიებზე (კ-ები იტურუპი, კუნაშირი, ხაბომაი და შიკოტანი).

1972 წ. 29 სექტ. Ი-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა ჩინ. სრ-თან. 1977 იან.-ჩინ. ვაჭრობის მოცულობამ 3,5 მლრდ. დოლ. შეადგინა. 1978 Ი-მ ჩინ. სრ-თან დადო ხელშეკრულება მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ. Ი. დათანხმდა (ზოგიერთი შენიშვნით) მასში შეეტანათ „ჰეგემონიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის პუნქტი, რ-საც ჩინ. ხელმძღვანელობა ანტისაბჭოურ მიმართულებას აძლევს. Ი-ის წინააღმდეგობრივი საგარეო პოლიტ. კურსი მზარდ გავლენას ახდენს Ი-ის შინაპოლიტ. ვითარებაზე, რ-იც ხელს უწყობს სოც.-ეკონ. წინააღმდეგობათა გაღრმავებასთან ერთად კონსერვატულ და დემოკრ. ძალებს შორის ბრძოლის გაძლიერებას.

ლიტ.: Игнатущенко С. К., Япония и США: партнеры и конкуренты, М., 1970; Кутаков Л. Н., История советско-японских дипломатических отношений, М., 1962; Очерки новейшей истории Японии, М., 1957; Очерки новой истории Японии (1640—1917), М., 1958; Петров Д. В., Япония в мировой политике, М., 1973; Эйдус Х. Т., История Японии с древнейших времен до наших дней, М., 1968; Японский милитаризм, М., 1972.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია (ლდპ), დაარსდა 1955. გამოხატავს მსხვილი მონოპ. კაპიტალის, სასახლის კარის არისტოკრ., უმაღლესი ბიუროკრ. და სოფლის შემლებული ზედა ფენის ინტერესებს. იაპონიის სოციალისტური პარტია (ისპ), დაარსდა 1945. სუფთა პოლიტიკის პარტია (კომეიტო), დაარსდა 1964. დემოკრატიული სოციალიზმის პარტია (დსპ), დაარსდა 1960. იაპონიის კომუნისტური პარტია (იკპ), დაარსდა 1922.

იაპონიის პროფკავშირების გენერალური საბჭო (სოჰიო), დაარსდა 1950. აერთიანებს 4580 ათ. წევრს (1977). უმსხვილესი მემარცხენე პროფკავშირული გაერთიანება. სრულიად იაპონიის შრომის კონფედერაცია (დომეი), დაარსდა 1964. მემარჯვენე რეფორმისტული ცენტრი. შედის თავისუფალი პროფკავშირების საერთაშ. კონფედერაციაში. ნეიტრალური პროფკავშირების კავშირის საბჭო, დაარსდა 1956. ატომისა და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლის იაპონური საბჭო (გენსუიკიო), დაარსდა 1955. იაპონიის ეროვნული კონგრესი ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის (გენსუიკინი), დაარსდა 1963. საზოგადოება „იაპონია-სსრკ", დაარსდა 1957. იაპონია-საბჭ. კავშირის მეგობრობის საზოგადოება, დაარსდა 1965 და სხვ.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. Ი. კაპიტალ. სამყაროს მაღალგანვითარებული ინდუსტრ. ქვეყანაა. სამრეწვ. წარმოების მოცულობით იგი II ადგილზეა (აშშ-ის შემდეგ), Ი-ის ხვ. წ. კაპიტალ. სამყაროს სამრეწვ. წარმოებაში 9,5%-ს შეადგენს (1977), ხოლო მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში — 6,5%-ზე მეტს. 1975 დამუშავებითი მრეწვ. და მშენებლობა იძლეოდა მთლიანი ეროვნ. პროდუქტის 35,9%-ს, სოფ. მეურნ., სატყეო მეურნ., თევზჭერა და მოპოვებითი მრეწვ.—მხოლოდ 6,6%-ს, ვაჭრობა — 19,3%-ს, ტრანსპ. და კავშირგაბმ. — დაახლ. 7%-ს, საფინანსო სფერო — 12%-ს, სხვა დარგები — დანარჩენს. მთლიანი ეროვნ. პროდუქტის ზრდის (1957—73 წწ. 10%-ზე მეტი წელიწადში) მაღალი ტემპები განაპირობა უმთავრესად შრომის ექსპლუატაციისა და კაპიტალის დაგროვების მაღალმა ნორმებმა. მთლიანი ეროვნ. პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოა. ომის შემდგომ პერიოდში Ი-ის ეკონ. განვითარება მიმდინარეობდა უკიდურესად წინააღმდეგობრივ პირობებში და გაიარა რამდენიმე ეტაპი.

ციკლური კრიზისული მოვლენები შეიმჩნეოდა 1954, 1957—58, 1961—62, 1965 და 1970—71 წლებში, ხოლო 1974—75 Ი-ს თავს დაატყდა ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე გამანადგურებელი ეკონ. კრიზისი (სამრეწვ. წარმოების მოცულობა თითქმის 25%-ით შემცირდა), რ-იც დაემთხვა მსოფლიო კაპიტალ. სისტემის ეკონ., ენერგეტ., ფინანს. კრიზისებს. კრიზისის შედეგად გაუარესდა მშრომელთა მდგომარეობა: ორ წელიწადში სურსათის ფასები გაიზარდა 49%-ით, გადასახადები კი მხოლოდ 1975 წ. — 12%-ით. მაღალია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს რამდენიმე ფინანს.-მონოპ. ჯგუფს.

იოკოჰამის ნავსადგური.

მრეწველობა. 1955—74 მრეწვ. პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 17,5-ჯერ, დასაქმებულთა რიცხვი — 62%-ით. 1966—70 სამრეწვ. წარმოების საშ. წლ. ზრდის ტემპმა 16,4% შეადგინა, 1970—74 წწ.— 7,8%. 1974—75 კრიზისმა გამოიწვია პროდუქციის ბევრი სახეობის წარმოების შემცირება, ხოლო მთლიანი წარმოება 1974 შემცირდა 3%-ით, 1975 კი — კიდევ 11%-ით. 1976 მრეწვ. პროდუქციის ზრდის ტემპმა 12,5% შეადგინა, მაგრამ ბევრმა დარგმა კრიზისისწინა 1973 დონეს ვერ მიაღწია.

მრეწვ. სტრუქტურაში (პროდუქციის ღირებულებით, 1975) ჭარბობს მძიმე ინდუსტრიის დარგები. მოპოვებითი მრეწვ. წილი მხოლოდ 1,4%-ს შეადგენს, დამუშავებითი მრეწვ. ყველა დარგისა კი — 64%-ს (შესაბამისად, მათზე მოდის სამრეწვ. წარმოებაში დასაქმებულთა 0,8% და 72%).

მეიშინის ავტოსტრადა, რომელიც აერთებს ქალაქებს კობეს, ოსაკას, კიოტოსა და ნაგოიას.

ენერგეტიკა და მოპოვებითი მრეწველობა. ენერგეტიკა დამყარებულია სათბობის, განსაკუთრებით ნავთობის იმპორტზე (90%-ზე მეტი, 1970-იანი წწ. შუა ხანები). 1977 ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 81,5 მლნ. *კვტ* იყო, აქედან თესებზე მოდიოდა დაახლ. 62%, ჰესებზე —28%-ზე მეტი, აესებზე — დაახლ. 10%. თესებისთვის მთავარი სათბობია ნავთობპროდუქტები (განსაკუთრებით მაზუთი). Ი-ის ნავთობის მარაგი უმნიშვნელოა — ყოველწლიურად იღებენ 700 ათ. ტ-ზე ნაკლებს (ნიიგატისა და აკიტის რ-ნები). შეაქვთ დაახლ. 280 მლნ. ტ ნავთობი და 30 მლნ. ტ-ზე მეტი ნავთობპროდუქტი.

ქვანახშირის მოპოვება (უმთავრესად ჰოკაიდოსა და კიუსიუზე) მცირდება (დაახლ. 52 მლნ. ტ-იდან 1966 წ.—18,2 მლნ. ტ-მდე 1977). ყოველწლიურად შეაქვთ 60 მლნ. ტ-ზე მეტი ქვანახშირი, უმთავრესად კოქსვადი. მთავარი მიმწოდებელია ავსტრალია, აშშ და კანადა.

იღებენ ბუნებრივ აირს (2,8 მლრდ. M^3-მდე წელიწადში) — უმთავრესად ნიიგატისა და ტიბის რ-ნებში, რკინის მადანს (542 ათ. ტ, ლითონის შემცველობის მიხედვით) — უმთავრესად ჰოკაიდოზე, კალას (550 ტ), ქრომს (26 ათ. ტ), სპილენძს (85 ათ. ტ), ტყვიასა (44 ათ. ტ-ზე მეტი) და თუთიას (250 ათ. ტ-ზე მეტი). ფერადი ლითონების მთავარი საბადოებია ჰონსიუსა და სიკოკუს კ-ებზე. იღებენ კაოლინს, პირიტს, გოგირდს.

დამუშავებითი მრეწველობა. შავი მეტალ. ქ-ნების სიმძლავრემ 1977 წ. 140 მლნ. ტ მიაღწია. ფოლადსადნობი კომბინატებიდან ყველაზე მძლავრია ფუკუიამის კომბინატი (16 მლნ. ტ-ზე მეტი წელიწადში). მთავარი მეტალ. რ-ნებია ოსაკა — ჰიმეჯი, ტოკიო—კასიმა, ჰიროსიმა—ოკაიამა, კიტაკიუსიუ—ოიტა და მურორანი.

განვითარებულია მანქანათმშენებლობა.

ჩარხთმშენებლობით Ი. მხოლოდ აშშ-სა და გფრ-ს ჩამორჩება. უშვებენ ყველა სახის ლითონსაჭრელ ჩარხებს. გემთმშენებლობითა და გემების ექსპორტით Ი. პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მთავარი რ-ნებია კურე —ოკაიამა — ნიიჰამა (მთელი გემთმშენებლობის 1/3) და იოკოჰამა — ტოკიო — ტიბა (დაახლ. 1/3). განვითარებულია ელექტროტექ. მრეწველობა, რ-ის პროდუქციის ღირებულების ნახევარზე მეტს ელექტრონიკის ნაკეთობანი იძლევა. ელექტრონული მრეწვ. პროდუქციის მოცულობითა და ასორტიმენტით Ი. III ადგილზეა მსოფლიოში. უშვებენ გამომთვლელ ელექტრონულ მანქანებს, ტრანზისტორებს, ტელევიზორებს და სხვ. მნიშვნელოვანი ბერება ავტომშენებლობაში, რ-ის პროდუქციის დაახლ. 50% გააქვთ (მ. შ. აშშ-ში). მთავარი რ-ნებია ტოკიო—იოკოჰამა (1/3-ზე მეტი), ნაგოია—ტოიოდა (დაახლ. 1/3) და ჰიროსიმა—ოკაიამა (დაახლ. 1/6).

განვითარებულია ქიმ. მრეწველობა. ორგ. ქიმიის დარგები აწარმოებენ ქიმ. პროდუქციის 75%-ს, მ. შ. ნავთობქიმია—31%-ზე მეტს. ეთილენის (დაახლ. 6 მლნ. ტ წელიწადში) ბაზაზე განვითარებულია სინთეზური მასალის წარმოება. მძლავრი ნავთობქიმ. კომპლექსებია წყნარი ოკ. სანაპიროზე. მთავარი ცენტრებია იოკოჰამა, ტიბა, ვაკაიამა, კურასიკი, ოიტა, იოკაიტი და სხვ. არის ნავთობგადასამუშ. კომბინატები, რ-თა საერთო წლ. სიმძლავრეა დაახლ. 300 მლნ. ტ (1976).

მნიშვნელოვანია ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დასამუშ. მრეწვ. (15,5 მლნ. ტ-ზე მეტი ცელულოზა წელიწადში).

საფეიქრო მრეწველობაში სტრუქტურული ცვლილებები მოხდა. მთავარი ადგილი უჭირავს ქიმ. ბოჭკოსაგან ქსოვილების წარმოებას. ფართოდაა განვითარებული კვების მრეწველობა. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

სოფლის მეურნეობა. დაახლ. 5 მლნ. მეურნეობიდან 86%-ს აქვს 1 ჰა-მდე მიწის მონაკვეთი, 8,3%-ს — 2 ჰა-ზე მეტი (1972). თითქმის ყველა მათგანი დაკავშირებულია მომარაგება-გასალების კაპიტალ. კოოპერაციის რომელიმე ფორმასთან. დიდი მონოპოლიების მონაწილეობით ყალიბდება აგროსამრეწვ. კომპლექსი, რ-იც აერთიანებს სას.-სამ. მანქანების, სასუქების, ხელოვნური საკვებისა და სოფ. მეურნეობისათვის საჭირო სხვა წარმოებას, აგრეთვე სოფ. მეურნ. პროდუქციის წარმოებას, გადამუშავებასა და გაყიდვას.

ცხრ. 1.—მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1955	1965	1977
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ·სთ*)	55	161	427,5
ქვანახშირი (მლნ. ტ)	42	49	18,2
თუჯი (მლნ. ტ)	5	27	85,9
ფოლადი (მლნ. ტ)	9	41	102,4
ნაგლინი (მლნ. ტ)	7	31	79,6
სპილენძი (რაფინირებული) (ათ. ტ)	113	366	934
ალუმინი (პირველადი) (ათ. ტ)	57	292	1188
ჩარხი ლითონსაჭრელი (ათ. ც.)	18	90	131
რადიომიმღები (მლნ. ც.)	2	23	17,3
ტელევიზორი (მლნ. ც.)	—	4,2	14,3
ავტომობილი მსუბუქი (ათ. ც.)	20	696	5429
ავტომობილი ხატვირთო (ათ. ც.)	44	1160	3027
გემი (ჩაშვებული წყალში) (მლნ. ბრუტო სარეგისტრო ტ)	0,7	5,5	13
გოგირდმჟავა (მლნ. ტ)	0,6	5,6	6,4
ამონიუმსულფატი (მლნ. ტ)	2,1	2,5	2,1
პოლიეთილენი (მლნ. ტ)	—	0,5	1
სინთეზური კაუჩუკი (ათ. ტ)	—	161	971
ქაღალდი (მლნ. ტ)	1,7	4,2	8,8
ცემენტი (მლნ. ტ)	10,6	32,7	73,1
ბამბის ქსოვილები (მლნ. *მ²*)	2524	3013	2266
სინთეზური ქსოვილები (მლნ. *მ²*)	3	1241	2884

განვითარებულია კონტრაქტაციის სისტემა. ყოველწლიურად იყენებენ 730 ათ. ტ-ზე მეტ აზოტიან, დაახლ. 720 ათ. ტ ფოსფორიან და 600 ათ. ტ კალიუმიან სასუქებს. 1975 გამოყენებული იყო 3,6 მლნ. თვითმავალი კულტივატორი და მცრეგაბარიტიანი ტრაქტორი.

მუშავდება დაახლ. 5,7 მლნ. ჰა მიწა, სათესი ფართ. — დაახლ. 6,5 მლნ. ჰა (2—3 მოსავლის გაანგარიშებით წელიწადში), აქედან 40%-ზე მეტი უჭირავს ბრინჯს (17 მლნ. ტ, 1977). Ი-ს ყოველწლიურად შეაქვს დაახლ. 14—15 მლნ. ტ საკვები მარცვლეული (აქედან დაახლ. ნახევარი სიმინდია). მოჰყავთ ბოსტნეული (14,7 მლნ. ტ, 1976), კარტოფილი (3,2 მლნ. ტ, 1977) და სხვ. საკუთარი ნედლი შაქარი Ი-ს მხოლოდ 15% აქვს (დაახლ. 2,5—3 მლნ. ტ შეაქვთ). მოსავლიან წლებში კრეფენ დაახლ. 3,5 მლნ. ტ მანდარინს, 4 მლნ. ტ ფორთოხალს, 1 მლნ. ტ-ზე მეტ ვაშლს, 350 ათ. ტ მსხალს, 200 ათ. ტ-ზე მეტ ყურძენს და ატამს. მოჰყავთ თამბაქო (169 ათ. ტ, 1977), ჩაი (100 ათ. ტ, 1977). Ი-ის სოფ. მეურნ. ტრად. დარგი — მეაბრეშუმეობა თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას.

მეცხოველეობა, განსაკუთრებით მეღორეობა და მეფრინველეობა ხორცზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს 78%-ით, რძეზე — 83%-ით, კვერცხზე — 98%-ით (1973). 1977 Ი-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 3,5, ღორი — 7,9, ფრინველი — 259,9 მლნ. ფრთა.

თევზჭერასა და ზღვის სარეწებში დასაქმებულია დაახლ. 0,5 მლნ. კაცი. თევზჭერის მოცულობით Ი. I ადგილზეა მსოფლიოში. წელიწადში იჭერენ 10—11 მლნ. ტ თევზსა და ზღვის ცხოველებს. ბატონობს მსხვილი მონოპოლიები, რ-თა ხელშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თევზსაჭერი ფლოტი.

სატყეო მეურნეობა შიგა მოთხოვნილების დაახლ. 1/3-ს აკმაყოფილებს. ტყეები უმთავრესად მთიან რ-ნებშია და ექსპლუატაციისათვის ნაკლებმისაწვდომია. 45 მლნ. *მ³*-ზე მეტი ხე-ტყის მასალა შეაქვთ.

ტრანსპორტი. 1974 შიგა ტვირთზიდვასა (5 მლრდ. ტ-ზე მეტი) და ტვირთბრუნვაში (376 მლრდ. *ტ/კმ*-ზე მეტი) წამყვანი ადგილი ეჭირა საავტ. ტრანსპორტს (შესაბამისად, 86% და 44%), შემდეგ მოდიოდა ზღვის საკაბოტაჟო (10% და 42%) და რკინიგზის (4% და 14%) ტრანსპორტი. დიდ როლს თამაშობს საგარეო-სავაჭრო გადაზიდვები, რ-ებსაც უმთავრესად საზღვ. ფლოტი ახორციელებს. 1977 საზღვ. სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა 40 მლნ. ბრუტო სარეგისტრო ტ შეადგინა (მეორე ადგილი კაპიტალ. სამყაროში ლიბერიის შემდეგ). მთავარი ნავსადგურებია კობე (ტვირთბრუნვა დაახლ. 140 მლნ. ტ), იოკოჰამა (130 მლნ. ტ), კავასაკი, ნაგოია, ოსაკა (თითოეულში დაახლ. 90 მლნ. ტ). 1977 ავტოპარკში იყო 19,7 მლნ. მსუბუქი ავტომობილი, 11,3 მლნ. — სატვირთო, 0,2 მლნ. — ავტობუსი. ავტოსაჭაპანო გზების საერთო სიგრძე 1 მლნ. *კმ*-ზე მეტია, აქედან დაახლ. 260 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია. გზებზე გაშენებულია ხელოვნური ნაგებობანი (4,3 ათ. გვირაბი, სიგრძე 655 *კმ*, ხიდების საერთო სიგრძე 6 ათ. *კმ*-ზე მეტია). შენდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალები (მწყობრში ჩადგა 1,9 ათ. *კმ*-ზე მეტი, მ. შ. ტოკიო—ნაგოია—ოკაიამა).

რკინიგზის სიგრძეა 27 ათ. *კმ*, აქედან 21 ათ. *კმ* სახელმწიფოს ხელშია, რ-თაგან 76%-ზე მეტი ერთლიანდაგიანია; ელექტრიფიცირებულია 16 ათ. *კმ*. 1960-იანი წწ. შუა ხანებიდან შენდება ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალები, მოქმედებს დაახლ. 1,2 ათ. *კმ*, მ. შ. ტოკიო—ოსაკა—ოკაიამა—ფუკუოკის ხაზი (სიგრძე 1 ათ. *კმ*-ზე მეტი). მატარებლების მაქს. სიჩქარეა 260 *კმ/სთ*.

მეტროპოლიტენი არის 6 დიდ ქალაქში, 2 ქალაქში კი შენდება (1978). Ი-ში დაახლ. 60 სამოქალაქო აეროპორტია, მ. შ. 3 საერთაშორისო. მოქმედებს საერთაშ. ავიახაზები მოსკოვსა და ხაბაროვსკთან.

მილსადენი ტრანსპორტი სუსტადაა განვითარებული (დაახლ. 240 მოკლე ნავთობსადენი, სიგრძე დაახლ. 1,4 ათ. *კმ*, აირსადენი ნიიგატა — ტიბა, სიგრძე 340 *კმ*).

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1965—77 საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 30-ჯერ გაიზარდა და 151,5 მლრდ. დოლ. შეადგინა (III ადგილი მსოფლიოში აშშ-ისა და გფრ-ის შემდეგ), აქედან ექსპორტმა — 80,5 მლრდ. დოლ., იმპორტმა — 70,9 მლრდ. გააქვთ (1977): მანქანა-მოწყობილობანი — 61,6%, ლითონი და ლითონის ნაკეთობანი — 17,5% და სხვ. შეაქვთ მინერ. სათბობი — 44%, სამრეწვ. ნედლეული — 19,9%, სურსათი — 14,3% და სხვ.

1977 ექსპორტის 23,3% და იმპორტის 18,2% მოდიოდა აშშ-ზე, სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნებზე, შესაბამისად, 20,9% და 20,7%, დას. ევროპის ქვეყნებზე — 16,1% და 7,6%, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე — იმპორტის 28,9%, ავსტრალიაზე — 2,9% და 8,3%. საგარეო-სავაჭრო ტვირთბრუნვის 5,8% მოდიოდა სოციალ. ქვეყნებზე.

Ი.-სსრკ-ის ვაჭრობის მოცულობა 1966—77 წწ. 6,5-ჯერ გაიზარდა და 2,3 მლრდ. მან. შეადგინა. საბჭ. ექსპორტში ჭარბობს მრგვალი ხე-ტყე და ხე-ტყის მასალა (32%), ნავთობპროდუქტები (18%) და ქვანახშირი (14%). Ი-ის ექსპორტში 50%-ზე მეტი უჭირავს შავი მეტალ. პროდუქციას; დაახლ. 30% — მანქანებსა და მოწყობილობას, 10%-ზე მეტი — ფართო მოხმარების საქონელსა და ნახევარფაბრიკატებს.

Ი. კაპიტალის მსხვილი ექსპორტიორია. უცხ. ინვესტიციების მოცულობამ 1976 წ. 17 მლრდ. დოლარს გადააჭარბა.

ლიტ.: Современная Япония. 2 изд., М., 1973; Статистический материал по экономике Японии (1960 — 1977). М., 1978.

VIII. შეიარაღებული ძალები

Ი-ის შეიარაღებული ძალები, ე. წ. თავდაცვის ძალები, შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. ითვლის (1977) დაახლ. 265 ათ. კაცს. უმაღლესი მთავარსარდალია პრემიერ-მინისტრი. შეიარაღებულ ძალებს ხელმძღვანელობს თავდაცვის სამმართველო (სარგებლობს სამინისტროს უფლებებით) შტაბების უფროსთა გაერთ. კომიტეტისა და სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალების შტაბების მეშვეობით. ჯარები კომპლექტდება მოხალისეებით, სახმელეთო ჯარებში (180 ათ. კაცი) არის არმიის 5 შტაბი, 1 სატანკო, 12 ქვეითი დივიზია, 1 ჰაერსადესანტო ბრიგადა, აგრეთვე ცალკე საარტ. და საინჟინრო შენაერთები და ნაწილები, საზენიტო მართული რეაქტიული ჭურვების 7 ჯგუფი. შეიარაღება სამამულო და უცხ. წარმოებისაა. სამხ.-საჰაერო ძალებს (დაახლ. 45 ათ. კაცი) ჰყავს 450 საბრძოლო თვითმფრინავი. სამხ.-საზღვ. ძალები (დაახლ. 42 ათ. კაცი) ითვლის 16 წყალქვეშა ნავს, 30 საესკადრო ნალმოსანს, 20 ნავსაწინააღო და 89 სხვა ხომალდს, სატორპედო კატარღას, საგუშაგო და სადესანტო ხომალდს. საზღვ. ავიაციის შემადგენლობაშია დაახლ. 200 საბრძოლო თვითმფრინავი.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1976 შობადობა ყოველ 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 16,4, სიკვდილიანობა —

,4; ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხ-ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲑᲘᲚᲘ — 9,3. 1974 სიცოცხლის ᲐᲨ. ხანგრძლივობა მამაკაცთათვის —72, ალებისათვის — 77 წელი იყო. ავადობის ტრუქტურასა და სიკვდილიანობის მიზ-ᲔᲑᲘᲡ შორის მთავარია გულ-სისხლძარღვ-ᲗᲐ დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნე-ᲑᲘ, სასუნთქი ორგანოების დაავადებები, ᲒᲕᲘᲚᲘᲡᲘᲡ ციროზი, ნეფრიტი და ნეფროზი. ᲐᲠᲒᲔᲗᲡ ᲜᲗᲔᲑᲘᲡ. გაბინძურების შედეგად აგრძნობლად იმატა სასუნთქი ორგანო-ᲗᲐᲡ დაავადებებმა, ფილტვის კიბომ. აღ-ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲐ ᲕᲡᲘᲥ. დაავადებათა, ნარკომა-ᲜᲘᲘᲡ, საწარმოო ტრავმატიზმის მკვეთრი ᲗᲠᲓᲐ. კვლავ სერიოზულ პრობლემად ᲩᲩᲔᲑᲐ ტუბერკულოზით ავადობა. 1975 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ 8294 საავადმყოფო ერთი ᲚᲚᲜ. 163 7 ათ. საწოლით, მ. შ. 2,5 ათ. საავადმყოფო (377,2 ათ. საწოლით) სახელ-ᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲣᲗᲕᲜᲘᲚᲘ. 1974 მუშაობდა 126,8 ᲐᲗ. ექიმი (1 ექიმი 860 მცხოვრებზე), ᲛᲘ. შ. მხოლოდ 2,1 ათ. ექიმი იყო სა-ᲔᲚᲛᲬ. სამსახურში. ექიმთა უმრავლესობა დასაქმებულია დიდ ქ-ებში, სოფლად კი ექიმების ᲩᲩᲝᲚᲝᲚᲝᲓ 14% მუშაობს (1 ექიმი 1,8 ათ. მკხ.). 1973 Ო-ში მუშაობდა 40,6 ᲐᲗ. სტომატოლოგი, 74,4 ათ. ფარმაცევ-ᲗᲘ, 176 ათ. მედდა. ექიმებს ამზადებს 58 სამედ. სკოლა (მ. შ. 30 სახელმწ.). 15 სასწ. ამზადებს სტომატოლოგებს, 37— ᲗᲔᲑᲘᲐᲥᲐᲚებს. 1973 ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲐᲖᲔ დაიხარ-ᲯᲐ სახელმწ. ბიუჯეტის 1,8%.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტუ-რული-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1947 გამოვიდა „ძირითადი კანონი ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ შესახებ", რ-მაც დაამკვიდრა Ო-ში განათლების მიღების თანაბარი უფ-ᲚᲔᲑᲐ, 9-წლიანი საყოველთაო სავალდებ-ᲣᲚᲝ უფასო სწავლება, ქალებისა და ᲑᲐᲭᲕᲔᲑᲘᲡ ერთად სწავლება, შეიქმნა სკო-ᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ სტრუქტურა. მაგრამ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ დემოკრ. პრინციპები ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲯᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐ, დღესდღეო-ᲑᲘᲗ Ო-ში ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ და რელიგ. საზ-ᲑᲐᲗᲐ გამგებლიბაში მყოფი სკოლა, ფა-ᲡᲘᲐᲜᲘ სწავლება უფროს, საშ. და უმაღლეს სკოლაში და სხვ., რაც სახ. განათლების დარგში ᲑᲣᲠ.-ᲯᲐᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐ-ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲣᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲗᲙᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

Ო-ში საბავშვო ბაღებია 3—6 წლის ბავ-ᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (მ შ. ᲑᲔᲕᲠᲘᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ), 1975 ᲘᲧᲝ 13,1 ᲐᲗ. ᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ, 2,2 მლნ. ᲐᲦᲡᲐᲮᲠᲓᲔᲚᲘ; 6-წლიანი დაწყ. სკოლა სავალდებულოა 6—12 წლის ბავშვებისა-ᲗᲕᲘᲡ (1976 წ 22,7 ათ. სკოლაში სწავ-ᲚᲝᲑᲓᲐ 10,2 მუნ. მოსწავლე); 3-წლიანი უმცროსი საშ. სკოლაა 13—15 წლის ბავშ-ᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (1975 წ. 9,9 ათ. უმცროს საშ. სკოლაში სწავღობდა 4,5 მლნ-ზე მეტი მოსწავლე); 1—18 წლის მოსწავლეები-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ არის 3წლიანი უფროსი საშ. სკო-ᲚᲐ, რ-საც აქვს 2 განყ-ბა: ზოგადსაგან-ᲛᲐᲜ. და პროფ. უმცროსიდან უფროს სკო-ᲚᲐᲨᲘ გადასვლა გამოცდებისა და საგამოც-ᲓᲝ ტესტების საფუძველზე. ფორმალურად ᲧᲕᲔᲚᲐ უფროს საშ. სკოლადამთავრებულს ᲔᲫᲚᲔᲕᲐ უფლება უმაღლეს სასწავლებელ-ᲨᲘ შესვლისა მაგრამ, ფაქტობრივად, პროფ. განყ-ბა დამთავრება არ უზრუნ-ᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲐᲛ უფლებით სარგებლობას.

არსებობს უფროსი საშ. 4-წლიანი სა-ᲦᲐᲛᲝᲡ სკოლები შემცირებული სასწ. კვი-ᲠᲘᲗ (1976 წ. 1,4 ათ. საღამოს სკოლაში სწავლობდა 20 ათ-ზე მეტი მოსწავლე). პროფტექ. ᲡᲐᲛᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ სახელმწ. სისტემა სუსტად არის ᲯᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. კვალიფი-ᲪᲘᲣᲠ მუშებს ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡ წარმოებათა სასწ. ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ,, ᲠᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜ კურსებსა ან ᲙᲔᲠᲫᲝ პროფტექ. სკოლებში (1976 წ. 8 ათ-მდე პროფტექ. სკოლასა და კურსებზე სწავლობდა 12 მლნ-მდე მოსწავლე).

Ო-ის უმაღლესი სასწავლებლებია უნ-ᲢᲔᲑᲘ, უმცროს. და ტექ. კოლეჯები. 1975 Ო-ში იყო 42(უნ-ტი, სადაც სწავლობდა 1,7 მლნ-ზე მეტი სტუდენტი. უნ-ტების 77% კერძოა და სწავლების ფასიც მაღა-ᲚᲘᲐ. მუშათა შვილები სტუდენტების ᲛᲮᲝ-ᲚᲝᲓ 9%-ს შეადგენენ. უდიდესი უნ-ტებია: ᲙᲔᲠᲫᲝ — ნიპონი (დაარსდა 1903; 102 ათ. სტუდენტი), ვასედა (დაარსდა 1882; 41,6 ათ. სტუდენტი), მეიძი (დაარსდა 1881; 33,5 ათ. სტუდენტი), ᲰᲝᲡᲔᲘ (დაარსდა 1880; 29 ათ. სტუდენტი); სა-ᲮᲔᲚᲛ�წ. — ტოკიოს (დაარსდა 1877; 18,5 ათ. სტუდენტი), ტოჰოკუ (დაარსდა 1907; 10,5 ათ. სტუდენტი), კიოტო (და-ᲐᲠᲡᲓᲐ 1897; დაახლ. 14,7 ათ. სტუდენტი და სხვ. 1975 წ. 513 უმცროს კოლეჯში სწავლობდა 353,7 ათ. სტუდენტი; 65 ტექ. კოლეჯში — 48 ათ-მდე სტუდენტი.

მეცნიერების დარგში სახელმწ. პოლი-ᲢᲘᲙᲐᲡ ამუშავებს და პასუხს აგებს მისი რე-ᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ სამეცნ.-ტექ. საბჭო (და-ᲐᲠᲡᲓᲐ 1956). მეცნ. საკითხებში მთავრო-ᲑᲘᲡ სათათბირო ორგანოა სამეცნ. საბჭო (1949; 210 წევრი); ძირითადი საკოორდი-ᲜᲐᲪᲘᲝ ორგანოა პრემიერ-მინისტრთან არ-ᲡᲔᲑᲣᲚᲘ მეცნ. და ტექ. საბჭო (1959); Ო-ის აკადემია (ნიპონ გაკუსიუინი, დაარსდა 1879) საპატიო დაწესებულებაა, აერთია-ᲜᲔᲑᲡ 150 აღიარებულ მეცნიერს, რ-ებსაც ᲘᲠᲩᲔᲕᲡ სამეცნ. საბჭო. სამეცნ. დაწესე-ᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ (1975 იყო 4500-ზე მეტი) 3 ტი-ᲞᲘᲡᲐᲐ: ᲙᲔᲠᲫᲝ (მონოპ. კომპანიების ᲮᲔᲚ-ᲨᲘ მყოფი 3000-მდე დაწესებულება, მაგ., „მიცუის" ჯგუფს აქვს 30 სამეცნ.-კვლ. და-ᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ 30 ათ. თანამშრომლით, კორ-ᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ „ᲰᲘᲢᲐᲩᲘᲡ" — 5 სამეცნ.-კვლ. ინ-ᲢᲘ 6,5 ათ. თანამშრომლით და სხვ.), სპე-ᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ და უმაღლესი სასწავლებ-ᲚᲔᲑᲘᲡა, რ-ებიც კუთვნილების მიხედვით არის სახელმწ., მუნიციპალური და კერძო. ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ კვლევა წარმოებს ძირი-ᲗᲐᲓᲐᲓ უმაღლეს სასწავლებლებში. გან-ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ყურადღების ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘᲐ და სათანადოდ დაფინანსებულია 5 ეროვნ. პროგრამა: ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ (გარემოს) დაცვის (94,5 მლრდ. იენა), ინფორმაციის დამუ-ᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ საშუალებათა განვითარების (91,7 მლრდ. იენა), ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ (90,3 მლრდ. იენა), კოსმოსური (48,6 მლრდ. იენა) და მსოფლიო ოკეანის შეს-ᲬᲐᲕᲚᲘᲡ (15,8 მლრდ. იენა). Ო. 50 საერ-ᲗᲐᲨ. სამეცნ. ორგანიზაციის წევრია, ორ-ᲛᲮᲠᲘᲕᲘ და მრავალმხრივი ხელშეკრულებე-ᲑᲘ აქვს მეცნ. და ტექ. საკითხებში მსოფ-ᲚᲘᲝᲡ ᲑᲔᲕᲠ ქვეყანასთან, მ. შ. სსრ კავშირ-ᲗᲐᲜ 1973 დადებულია სამთავრობო ხელ-ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ სამეცნ. თანამშრომლობის შე-ᲡᲐᲮᲔᲑ.

1976 Ო-ში იყო 900-მდე საჯარო ბ-კა. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ დიდია პარლამენტის ეროვნ. ბ-კა (5,6 მლნ. ტ.). დიდი ბ-კებია: ტოკიოს უნ-ᲢᲘᲡ (3 მლნ-მდე ტ.), კიოტოს უნ-ტის (2,8 მლნ. ტ.) და სხვ.; Ო-ში 409 მუზეუმია, მ. შ. ტოკიოს ეროვნ., ოკურა სიუკოკანის, სამეცნ. ეროვნ., დას. ხელოვნ. ეროვნ., თანამედროვე ხელოვნ. ეროვნ., კიოტოს მუნიციპალური, ოსაკის ნატიფი ხელოვნ. მუზეუმები და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებ-ᲚᲝᲑᲐ, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

Ო-ში გამოდის 172 ყოველდღიური გა-ᲖᲔᲗᲘ, რ-ის საერთო ტირაჟია 55 მლნ.-ᲖᲔ მეტი, 800 ყოველკვირეული და 5700-ᲖᲔ მეტი პერიოდული გამოცემა. უდიდე-ᲡᲘ ყოველდღიური გაზეთებია „აკაჰატა", „ᲐᲡᲐᲰᲔ", „ᲘᲝᲛᲘᲣᲠᲘ", „ᲛᲐᲘᲜᲘᲩᲘ" („ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ გაზეთი", 1872-იდან გამოდის ტო-ᲙᲘᲝᲨᲘ, 1882-იდან—ᲝᲡᲐᲙᲐᲨᲘ, 1959-იდან— ᲡᲐᲞᲝᲠᲝᲨᲘ, 1935-იდან — ᲙᲘᲢᲐᲙᲘᲣᲡᲘᲣᲨᲘ და 1935-იდან — ნაგოიაში; საერთო ტირაჟი 7 მლნ. ც-ზე მეტი); ყოველკვირეულები: „ᲫᲘᲣ ᲛᲘᲜᲘᲣᲗ" („თავისუფალი ᲮᲐᲚᲮᲘ", 1955-ᲘᲓᲐᲜ, ტოკიოში, ტირაჟი 550 ათ. ც.), „ᲛᲘᲜᲘᲡᲘᲐ ᲡᲘᲛᲘᲣᲜᲘ" („დემოკრატების გაზე-ᲗᲘ", ტოკიოში, ტირაჟი 120 ათ. ც.)— Ო-ის დემოკრ. სოციალიზმის პარტიის ორგანო და სხვ.

Ო-ის საინფორმაციო სააგენტო — კიო-ᲓᲝ ᲪᲣᲡᲘᲜᲘ დაარსდა 1945. რადიომაუ-ᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲐ და ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲡ ნაწილობრივ კონტროლს უწევს მთავრობა, ძირითადად კი — კერძო კომპანიების ხელშია. რადიო-ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ მიმდინარეობს 1925-იდან, საზღვარგარეთისათვის წარმოებს 21 ენა-ᲖᲔ. ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ დაიწყო 1953-იდან.

XII. ლიტერატურა

ძვ. Ო-ში (IX ს-მდე) განვითარებული იყო სასიმღერო-პოეტური ფოლკლორი და მითოლოგია. Ო-ის წერილობითი ლიტ-ᲠᲘᲡ პირველი ძეგლებია კოსმოგონიური მითების და ისტ. თქმულებების კრებ. „კოძიკი" (712), პოეტური (ძირითადად *ᲗᲐᲜᲙᲐᲙᲘ* ჟანრის ლექსების) ანთოლოგია „მა-ᲜᲘᲝᲡᲘᲣ" (759). ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲨᲣᲐᲡᲐ-ᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ (IX ს.— XII ს. დასასრული) Ო-ში ჩაისახა თხრო-ᲑᲘᲗᲘ ლიტ-რა („ᲢᲐᲙᲔᲢᲝᲠᲘ მონოგატარი", IX ს. შუა წლები, *„ᲝᲡᲔ მონოგატარი"*, 1106). X—XI სს-ში ტრად. იაპ. რელიგ. სინტოიზმისა და ბუდისტური სექტის ᲫᲕ-ᲚᲘᲡ გავლენით ჩამოყალიბდა ესთეტ. კა-ᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐ „ᲛᲝᲜᲝ-ᲜᲝ ᲐᲕᲐᲠᲘ" (სა-ᲒᲐᲜᲗᲐ ᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜᲘ მომხიბლაობა), რ-იც გულისხმობს სინამდვილის ემოციურ წვდო-ᲛᲐᲡ. მან დიდი გავლენა მოახდინა მთელ იაპ. ლიტ-რაზე. X ს. II ნახევარში აღსა-ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ მწერალ ქალთა (მიტიცუნა-ᲜᲝ ᲰᲐᲰᲐ, 935—995; იძუმი სიკიბუ, 974—1036; *„გენძი მონოგატარის"* ავტო-ᲠᲘ მურასაკი სიკიბუ, 978 — 1016) შემოქ-ᲛᲔᲓᲔᲑᲐ, რ-იც დაკავშირებულია ᲜᲘᲙᲘᲡ-ᲗᲐᲜ (დღიურულ-მემუარული ლიტ-რის ჟანრი). X—XI სს. მიჯნაზე შეიქმნა ᲫᲣᲘ-ᲰᲘᲪᲣᲡ (ესეი) ჟანრის პირველი თხზუ-ᲚᲔᲑᲐ სეი-სიონაგონის (დაახლ. 966) „ᲩᲐ-ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ სასთუმალთან". XI ს-ში პო-�პᲣᲚ. იყო მოთხრობები ჩინ. და ინდ. სიუ-ᲟᲔᲢᲔᲑᲖᲔ (კრებ. „კონძიაკუ მონოგატარი"). ჩაისახა ლიტ.-ისტ. თხზულების ჟანრი (ეიგა მონოგატარი). ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔ-ᲑᲣᲚᲘ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ პე-ᲠᲘᲝᲓᲨᲘ (XII ს. დასასრ. — XVI ს.) აღ-ᲛᲝᲪᲔᲜᲓᲐ სამხ.-ᲦᲐᲜᲝᲓ. ᲔᲞᲝᲞᲔᲐ ᲒᲣᲜᲙᲘ (XIII—XIV სს.). მან წინ წამოწია პრინ-ᲪᲘᲞᲔᲑᲘ კონფუციური მორალისა, რ-მაც ჩამოაყალიბა მსახურის ბატონისადმი მორ-ᲩᲘᲚᲔᲑᲘᲡ სამურაული კომპლექსი. შეიქ-ᲛᲜᲐ ᲡᲔᲪᲣᲐ — რელიგ., ისტ. და ყო-ᲤᲘᲗᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ პოპულ. მოთხრობების კრებულები, მიბაძვითი „ისტორიული თხრობანი"; ᲙᲐᲢᲐᲠᲘᲛᲝᲜᲝ — მანამ-ᲓᲔ ᲖᲔᲞᲘᲠᲘᲡᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ არსებული ᲔᲠᲘ-ᲙᲣᲠᲘ თხზულებები. პოეზიაში ᲗᲐᲜᲙᲐᲡ გვერდით გავრცელდა უფრო დემოკრ. ჟანრი ᲘᲛᲐᲘᲝᲣᲢᲐ (სიმღერები თანა-ᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲰᲐᲜᲒᲖᲔ), გაჩნდა მრავალი პოე-ᲢᲣᲠᲘ ᲐᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲐ („სინ-კოკინსიუ", 1205) და კრებული. XIV—XV სს-ში განვითარდა ჟანრი ᲠᲔᲜᲒᲐ (ასხმული

ᲮᲘᲓᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲝᲡᲔᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲔ-ᲖᲔ ᲰᲝᲜᲡᲘᲣᲗᲐ და ᲙᲘᲣᲡᲘᲣᲗᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ისიამადერის ტაძარი. სიგის პრეფექტურა. XII ს. დასასრული.

ს. პონგო. „უსმინე ზღვის ხმას!" ბრინჯაო. 1950.

ტ. ინაგაკი. „კატების მსვლელობა." ფერადი გრავიურა ლინოლეუმზე. 1950-იანი წლები.

ლექსები — ძირითადად პეიზაჟურ ლირიკას შეიცავს). ძენის კონცეფციამ სატორიმ (ჭეშმარიტების მყისიერი წვდომა) გავლენა მოახდინა ერთაქტიანი ლირ. დრამის იოკიოკუს შექმნაზე და საფუძველი ჩაუყარა O-ის დრამატურგიას (ძეამი, 1363—1443). პოპულარობით სარგებლობდა ჟანრი კიოგენი (ფარსი). XVI ს-ში აღმოცენდა ქალაქური ლიტ-რა: თავისუფალი ზომის მოკლე ლექსები კოუტა (მცირე სიმღერა), ზეპირი მოთხრობები ოტოგიძოსი (თავშესაქცევი ჩანაწერები). XVI ს. შუა წლებიდან დაიწყო ანტ. ავტორების თხზულებათა თარგმნა. გვიანი შუა საუკუნეების ლიტ-რაში (XVII ს.—XIX ს. 60-იანი წწ.) ჭარბობდა დემოკრ. ტენდენციები — ჟანრმა კანაძოსიმ (თავშესაქცევი და დიდაქტ. ხასიათის მოთხრობები) XVII ს. დასასრ. სათავე დაუდო უკიოძოსის ჟანრს (ჩანაწერები წუთისოფლის შესახებ) — ყოფითი, ხშირად ეროტ. ხასიათის ნოველებს, რ-ის განვითარება დაკავშირებულია იჰარა საიკაკუს (1642—93) სახელთან. განვითარდა თოჯინების თეატრი ძიორური და თეატრი კაბუკი (ტიკამაცუ მონძაემონი, 1653—1724). XVII—XVIII სს. პოეზიაში წამყვანი იყო ჰოკუს (ჰაიკუ) ჟანრი (*მაცუო* ბასიო, კობაიასი ისა, 1763—1827). XVIII—XIX სს. მიჯნაზე ყოფითი ხასიათის ნაწარმოებები შეცვალა სათავეადასავლო-ფანტასტ. თხზულებებმა, რ-ებშიც ხოტბას ასხამდნენ სამურაების მორალს [იომიჰონის ჟანრი, საკითხავი წიგნები — უედა აკინარის (1734—1809) მოთხრობათა კრებ. „მთვარე ნისლში", 1768; ტაკიძავა ბაკინის (1767—1848) დიდაქტ. რომანი „რვა ქოფაკის ამბავი", 1814]. გავრცელდა კუსაძოსი ანუ გოკანი — ცნობილ ლიტ. სიუჟეტებზე შექმნილი მოთხრობები. კიოგენის ფარსების და უკიოძოსის მოთხრობების რეალისტურმა ტრადიციებმა განავითარეს კოკეიბონი (თავშესაქცევი წიგნები) — XIX ს. იუმორისტული მოთხრობები ქალაქელთა ყოფისა და ზნეობის შესახებ (ძიპენსია იკუ, 1765—1831). 30—40-იან წლებში გავრცელდა სანტიმენტალური რომანი ნინძიობონი (წიგნი ადამიანური გრძნობების შესახებ), რ-ის ფუძემდებელია ტამენაგა სიუნსუი (1790—1843). XVIII ს. და XIX ს. დასაწყ. დრამატურგები (ნამიკი გოჰეი, 1747—1808; ცურუია ნამბოკუ, 1755—1829) წერდნენ პიესებს ძიორურისა და კაბუკის თეატრებისათვის. XVIII ს. 80-იან წლებში ქალაქურ წრეში გავრცელდა სახუმარო და სატირული პოეზია კიოკა (გიჟური სიმღერები) და სენრიუ (პოეტის სახელის მიხედვით). XVIII ს-ში ინტენსიურად თარგმნიდნენ ჩინ. კლასიკურ ნაწარმოებებს, ევრ. მწერლებს. 1866—1918 დაუმთავრებელი ბურჟ. რევ. მეიძის ეპოქაში, ჩაეყარა საფუძველი O-ის ახ. ლიტ-რის განვითარებას. იგი დაიწყო ტრად. ესთეტ. კანონების უარყოფით, ხელოვნებაში ინდივიდუალურობის გამჟღავნების და ასახვის უფლების საჯაროდ გამოცხადებით, სამყაროს არა მარტო ასახვის, არამედ ახსნის მოთხოვნით. ფტაბატეი სიმეის რომანმა „მოცურავე ღრუბელი" (1887—88), რ-იც შეიქმნა რუსი მწერლების (ი. ტურგენევისა და სხვ.) გავლენით, საფუძველი ჩაუყარა კრიტ. რეალიზმს იაპ. ლიტ-რაში. რეალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე. წ. სიაკაისოსეცუმ, სოც. პროზამ [*ტოკუტომი* როკას, კინოსიტა ნაოეს (1869—1937) რომანები]. XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში გაიშალა ე. წ. სიძენსიუგი უნდო — მოძრაობა ნატურალიზმისათვის [ნაგაი კაფუს (1879—1959), ოგაი მორის (1862—1922) მოთხრობები], რ-შიც 900-იანი წწ. შუა ხანებიდან წამყვანი მდგომარეობა დაიკავეს რეალისტებმა [სიმაძაკი ტოსონის (1872—1943) რომანი „გატეხილი აღთქმა" (1906), კუნიკიდა დოპოს (1871—1908), ნაცუმე სოსეკის (1867—1916) თხზულებები]. ამავე დროს ბოპულ. იყვნენ ძველი ტრადიციის (ჯგუფი „კენიუსია" — სატუშის მეგობრები) მიმდევრები [ოძაკი კოიო (1867—1903), კოდა როჰანი (1867—1947)]. XIX ს. 80-იანი წწ. პოეზიაში დაიწყო მოძრაობა ახ. სტილის ლექსისათვის — სინტაისი, რ-საც ორიენტაცია ჰქონდა ევრ. ნიმუშებზე. დამკვიდრდა ძიუსი — თავისუფალი ლექსი, ანტიფეოდ. ჰუმანისტური პათოსითაა გამსჭვალული *კიტამურა* ტოკოკუს, პოეტი ქალის იოსანო აკიკოს (1878—1942) ლირიკა. ანტიიმპერიალ. მოძრაობასთან ჰეიმინ უნდოსთან (უბრალო ადამიანების მოძრაობა) იყო დაკავშირებული *ისიკავა* ტაკუბოკუ, რ-მაც ტანკას ჟანრში ასახა დემოკრ. და სოციალ. იდეები. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე ჟანრი ვატაკუსი სიოსეცუ (ეგო-ბელეტრისტიკა). 1918—45, დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით O-ში დაიწყო მუშათა მოძრაობის აღმავლობა, ჩაისახა პროლეტ. ლიტ-რა (ჰოსოი ვაკიძო, 1897—1925; ჰაიამა იოსიკი 1894—1943). 1928 შეიქმნა პროლეტ. ხელოვნების სრულიად O-ის ფედერაცია. პროლეტ. ლიტ-რის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ტოკუნაგა სუნაო (1899—1958), კობაიასი ტაკიძი (1903—33), ტაკედა რინტარო (1904—46), პოეტი *ნაკანო* სიგეჰარუ. 20-იან წლებში ჩამოყალიბდა რეალისტური დრამა — სინგეკი (მურაიამა ტომოიოსი, დ. 1901; კუბო საკაე, 1901—58). 20—30-იან წლებში აღმოცენდა ნეორომანტიზმი (ტანიძაკი ძიუნიტირო, 1886—1965) და ნეოჰუმანიზმი [„სირაკაბას" — „თეთრი არყის ხის" (1910—23) საზ-ბის „ტოლსტოველი" მწერლები: მუსიანოკოძი სანეაცუ (1885—1975), სიგა ნაოია (1883—1971), ნაწილობრივ *არისიმა ტაკეო* (სოც.-კრიტ. რომანი „ერთი ქალის ამბავი", 1911—19)]. ნეორეალისტური მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია *აკუტაგავა რიუნოსკე*. 20-იან წლებში დას. ევრ. ლიტ-რის გავლენით იაპ. ლიტ-რაში აღმოცენდა ავანგარდისტული (ტაკაჰასი სინკიტი, დ. 1901), მოდერნისტული (იოკომიცუ რიიტი, 1898—1947) მიმდინარეობანი. 30—40-იანი წწ. O-ის ლიტ-რაში ჭარბობდა მებრძოლი შოვინიზმის ტენდენცია(ჰინო ასიჰეი, 1907—60). II მსოფლიო ომში იაპ. მილიტარიზმის განადგურების შემდეგ O-ის ლიტ-რაში განვითარდა სხვადასხვა მიმდინარეობა. ტრად. ესთეტ. ლირიზმითაა გამსჭვალული ტანიძაკი ძიუნიტიროს, *კავაბატა* იასუნარის (მოთხრობები „ათასფრთიანი წერო", 1951; „ძველი დედაქალაქი", 1961—62) შემოქმედება. დემოკრ. და სოც.-კრიტ. ლიტ-რის შექმნისათვის იბრძოდნენ *აბე ტომოძი*, *მიამოტო* იურიკო, კურაჰარა კორეჰიტო (დ. 1902) ჰაიასი ფუმიკო (1904—51). სენგოჰას მოძრაობამ (ომის შემდეგომი ლიტერატურა) გააერთიანა მილიტარიზმისა და ტრადიციონალიზმის მოწინააღმდეგე მწერლები (ისიკავა ტაცუძო, დ. 1905 ენდო სიუსაკუ, დ. 1923 და სხვ.). მათი შემოქმედების თემაა II მსოფლიო ომი ჰიროსიმის ტრაგედია, ომის შემდგომი ინტელიგენციის ბედი. სენგოჰას მწერალთა ნაწილი თავის შემოქმედებაში იყენებდა, მოდერნიზმის შემოქმედების მეთოდებს (ნაკამურა სინიტირო, დ. 1918; სინა რინძო, 1911—73). 50—60-იან წწ. გავრცელდა ე. წ. „ხორციელი" ანუ ფიზიოლ. ლიტ-რა, რ-იც სისასტიკისა და სექსის აპოლოგიას წარმოადგენს, და მასობრივი ლიტ-რის ნაირსახეობა — ზნეობის რომანი.

60—70-იან წწ. პროზაში რეალიზმი და მოდერნიზმი ზოგჯერ შერწყმულია ერთი მწერლის შემოქმედებაში [*აბე* კობო, „ქალი ქვიშაში", 1963; *ოე* კენძაბურო (დ. 1935), „დაგვიანებული ახალგაზრდობა", 1964]. განვითარდა სამეცნ.-ფანტასტ. და დეტექტიური რომანი.

თანამედროვე იაპ. ლიტ-რაში სოციალ. მიმართულების წარმომადგენლები არიან: იაპ. დემოკრ. ლიტ-რის საზ-ბის (1965) მწერლები კუბოტა სეი (დ. 1921), სიმოტა სეიძი (დ. 1913) და სხვ.

იაპ. ლიტმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელია იაიტი ჰაგა (XX ს.). XX ს. I ნახ. ფუნდამენტური შრომები დაწერილია კულტ.-ისტ., სას.-ისტ., სოც.-ისტ. თვალთახედვით (კულტ.-ისტ. პრინციპების მარქსიზმთან შეხამებით). მარქსისტული ლიტმცოდნეობა წარმოდგენილია კურაჰარა კორეჰიტოს, მორიამა კეის (30-იანი წწ.) იამადა სეიძაბურის, კავაგუტი ჰიროსეს და სხვ. შრომებით (50—70-იანი წწ.) 50—70-იან წლებში ვითარდება შედარებითი ლიტმცოდნეობა, მუშავდება ეროვნ. ლიტ-რის პრობლემები.

ლიტ.: Астон В. Г., История японской литературы, пер. с англ., Владивосток, 1904; Григорьева Т., Логунова В., Японская литература. Краткий очерк, М., 1964; Иванага Сабуро, История японской культуры, пер. с япон., М., 1972; Конрад Н. И., Очерки японской литературы, М., 1973; Рехо К. Современный японский роман, пер. с япон., М., 1977.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

O-ის ხელოვნ. უძველესი ძეგლები ნეოლითის ეპოქას განეკუთვნება. ახ.წ. პირველ საუკუნეებში O-ში ჩამოყალიბდა ისლით გადახურული ხის ხალხ. საცხოვრებლის ტიპი. ორფერდა სახურავით გადახურული მაღალტერასიანი მდიდრული საცხოვრ. სახლის ტიპი დაედო საფუძვლად იძუმოსა და ისეს ძვ. სინტოისტური სამლოცველოების არქიტექტურას. ძვ. წ. III ს. — ახ. წ. VI ს. სახვ. ხელოვნ. ნიმუშებს წარმოადგენს ბრინჯაოს ზარისებრ ნაკეთობებსა („დოტაკუ") და სარკეებზე შესრულებული გამოსახულებანი, ადამიანთა და ცხოველთა თიხის სტატუები („ჰანივა"). VI ს-იდან, ბუდიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით, O-ის არქიტექტურაში თავი იჩინა ჩინ. და კორეის გავლენამ. X—XII სს-ში აღორძინდა იაპ. საცხოვრ. სახლის უძველესი სტრუქტურა, რ-იც გამოიყენეს ტაძრებშიც. XII—XVI სს-ში აშენებდნენ სახლებს, რ-ებსაც ჰქონდა ხის ბოძები და ჰორიზ. შემოსაკრავი სარტყლები, გასაწევი ან დასაშლელი კედლები. იატაკებზე დაფენილი იყო ჭილოფი შენობა ეხებოდა პეიზაჟს, გარშემოჩარტყმული იყო ეზო-ბაღებით. სამზ.-ფეოდ. დიქტატურის

ანაში (XVI ს. დასასრ. — XVII ს. დასაწყ.) აშენებდნენ ციხე-დარბაზებს, XVII-იდან ინტენსიურად განვითარდა ქალაქთაშენებლობა. XIX ს. ბოლოს — XX ს. დასაწყისში ქალაქის არქიტექტურაში თაი იჩინა ევრ. და ამერ. ეკლექტიზმმა.

1950-იან წლებში ცდილობდნენ თანამედროვე ხეროთმოძღვრული ტენდენციების მეხამბასა იაპ. შუასაუკ. არქიტ. თვითყოფ ტრადიციებთან (არქიტ. კ. ტანგე, კ. მაიოკავა).

O-ის ბუდისტურმა სახვითმა ხელოვნებამაც განიცადა ჩინ. და კორეის გავლენა. IX—XI სს-ში საკულტო ქანდაკება უფრო დაიხვეწა, ხოლო XII—XIV სს-ში მონუმ. სასიათისა გახდა. XV—XVI სს-ში ბუდისტური პლასტიკა დაკნინდა, იგი შეცვალა ჩენის სექტასთან დაკავშირებულმა ქანდაკებამ და საერო ხასიათის მცირე პლასტიკამ. მთავარ როლს თამაშობს ფერწერა (ლაქზე შესრულებული ბუდისტური მოსატულობანი, კედლის მხატვრობა და ა. შ.). X—XI სს. ვითარდება „იამატო-ეს" ჟანრი (სცენები არისტოკრ. ცხოვრებიდან, პეიზაჟები, უმეტესად ჰორიზ. გრაგნილებზე). XIV ს-იდან O-ის ხელოვნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩინ. ფერწერა ტუშით, რ-ის ტრადიციებიც შემოქმედებითად აითვისეს სესიუმ (XV ს. — XVI ს. დასაწყ.) და კანოს სკოლის (XV ს-იდან) ოსტატებმა. XVIII—XIX სს. ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ნიმუშებს ქმნის „უკიიოეს" სკოლა (ფერადი გრავიურა ხეზე; მორონობუ, ჰარუნობუ, უტამარო, ჰოკუსაი. ჰიროსიგე), რ-იც ასახავს ქალაქური ცხოვრების სცენებს. XIX ს. დასასრულიდან ევრ. ხელოვნ. გავლენით O-ის ფერმწერები იწყებენ ზეთის საღებავებით მუშაობას. თანამედროვე იაპ. ხელოვნებაში ტრად. მიმართულებასთან („ნიპონგას" სტილი) ერთად არსებობს მიმდინარეობანი, რ-ებიც იყენებენ ევრ. სამხატვრო კულტურის გამოცდილებას („იოგას" სტილი), აბსტრაქციონიზმს, სიურრეალიზმს, პოპარტს და სხვ. II მსოფლიო ომის შემდეგ ასპარეზზე გამოდის პროგრ. მხატვართა დიდი ჯგუფი, რ-ებიც იბრძვიან მშვიდობისა და დემოკრატიისათვის (ფერმწერები ტოსიკო აკამაცუ, ირი მარუკი და სხვ.).

O-ში ძველთაგანვე მისდევენ ლითონისა და ძვლის დამუშავებას, ფეიქრობას, ქარგვას, დეკორ. მოხატვას, წვნას, კერამ. ნაწარმის (მ. შ. ფაიფურის) დამზადებას. ეს ნაკეთობანი დღესაც გამოირჩევა მაღალმხატვრული ოსტატობით.

ლიტ.: Бродский В. Е., Японское классическое искусство, М., 1969; Николаева Н. С., Декоративное искусство Японии, М., 1972; Японское искусство. Сб. статей, М., 1959.

XIV. მუსიკა

O-ის მრავალსაუკუნოვანი მუსიკა ძველთაგანვე წარმოადგენდა მისტერიის ე. წ. კაგურას შემადგენელ ნაწილს. VII ს-იდან საერო ვოკალური და საკრავიერი მუსიკა დაუკავშირდა საცეკვაო დრამას გიგაკუს და სხვ. თეატრ. ჟანრებს. VII—IX სს-ში ჩინ. საკარო მუსიკის გავლენით განვითარდა გაგაკუ (საორკესტრო და საცეკვაო მუსიკა). ეროვნ. საკრავებია: კოტო, სიამისენი, კაგურა-ბუე და იოკო-ბუე, ფუე და სიაკუჰაჩი, სხვადასხვა სახის დოლები, გონგები და სხვ. IX—XII სს-ში გიგაკუს საფუძველზე განვითარდა იაპ. ტრად. ე. წ. კლასიკური მუსიკა. XIV ს-ში შეიქმნა თეატრის ეროვნ. ტრადიციებზე დაფუძნებული არისტოკრ. ლირ. დრამა ნო. XVII ს.—XIX ს. დასაწყისის თვალსაჩინო მუსიკოსები არიან ი. კენძიო (კოტოზე დამკვრელი, XVII ს. შუაწლები), კომპოზიტორები კ. იკუტა (XVII ს.), კ. იამადა (XVIII ს. დასასრ. — XIX ს. დასაწყ.), აგრეთვე მუს. ტრიოს, ე. წ. სანკიოკუს მუსიკის ავტორი კ. იაეკაკი (XIX ს.). XVII ს. — XIX ს. დასაწყისში კარის ხელოვნ. საპირისპიროდ აღმოცენდა *კაბუკის* თეატრის დემოკრ. ხელოვნება, უფრო გვიან — ბუნრაკუ (თოჯინების თეატრი). XIX ს. II ნახევარში O-ის მუს. განათლების სისტემამ განიცადა ევრ. ქვეყნებისა და აშშ-ის მუს. კულტურების გავლენა. პედაგოგმა ს. იძავამ 1879 შემოიღო (ამერ. პედაგოგ ლ. მეისონთან ერთად) საგუნდო სიმღერის საყოველთაო სწავლების სისტემა, ტოკიოში დააარსა მუს. კვლ. ინ-ტი (1886-იდან ტოკიოს მუს. სკოლა). XIX ს. დასასრულიდან O-ში გაჩნდა ინტერესი ევრ. მუსიკისადმი (იაპ. მუსიკოსები სასწავლებლად მიემგზავრებოდნენ ევროპაში; O-ში გასტროლებს მართავდნენ ევრ. და ამერ. მუსიკოსები). ამ პერიოდის თვალსაჩინო მუსიკოსები იყვნენ კ. ნობუტოკი და ი. მაცუდაირა (ახალი საკომპოზიტორო ფედერაციის წევრები; 1930-იდან — O-ის თანამედროვე მუსიკის ასოციაცია). მათ შემოქმედებაში ეროვნ. მუსიკის ცალკეული ელემენტების გვერდით იგრძნობოდა გერმ. და ფრანგ. მუსიკის გავლენა. 1920-იდან იწყება იაპ. კომპოზიტორების დაინტერესება ეროვნ. ფოლკლორით (მ. მამია, ი. აკუტაგავა), თუმცა ბევრი მაინც იყენებს ევრ. და ამერ. სკოლების ახ. საკომპოზიტორო ტექ. პრინციპებს (ე. ირინო, ი. დანი, კ. ისი და სხვ.), 40-იანი წწ. დასასრ. O-ში იჭრება ავანგარდისტული ნაკადი, იქმნება ე. წ. ექსპერ. მუსიკა (ცენტრი — ქ. კარუიძავა, 1949 დაარსდა ექსპერ. სტუდია). 50—60-იან წლებში დაწინაურდნენ *ავანგარდიზმის* მიმდევარი კომპოზიტორები: ტ. ტაკემიცუ, კ. ფოკუსიმა, ტ. მაიუმუმი, მ. მოროი, ი. ტაკაჰასი და სხვ. 1920 ტოკიოში (მთავარი მუს. ცენტრი) გაიხსნა „ასაკუსიოპერა", აქვე მუშაობს 6 სიმფ. ორკესტრი (O-ში 15 სიმფ. ორკესტრია), კამერულ-საკრავიერი და საგუნდო კოლექტივები, მუს. გამომცემლობები, გრამჩაწერის ფირმები. ტარდება მუს. ფესტივალები. 1930 შეიქმნა O-ის კომპოზიტორთა კავშირი. O-ში გავრცელებულია პოპ-მუსიკა. სახალხო, დემოკრ. ხასიათის ატარებს ტოკიოს ცენტრ. გუნდი „იაპონიის მომღერალი ხმები", რ-მაც 1952-იდან საფუძველი ჩაუყარა მასობრივ თვითმოქმედ ანტიმილიტ. მოძრაობას (1964 გასტროლები გაიმართა სსრკ-ში, გუნდის ხელმძღვ. ა. სეკი).

ლიტ.: Иофан Н., Из истории японской музыки VII—IX вв., კრ.: Искусство Японии, М., 1965.

XV. ბალეტი

O-ის ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში აღსანიშნავია ტრად. კლასიკური ცეკვა ბუიო და ევრ. ბალეტი. ბუიოს საფუძველს წარმოადგენს XV ს-ში ჩამოყალიბებული არისტოკრ. თეატრი *ნო* და ხალხ. და რელიგ. ცეკვების ელემენტები. XVII ს-ში ვითარდება უფრო თავისუფალი და მოქნილი ცეკვა, რ-იც თეატრ *კაბუკის* შემადგენელ ნაწილად იქცა. ცეკვა ბუიო თეატრისაგან დამოუკიდებლადაც განვითარდა. O-ში არსებობს მისი რამდენიმე სკოლა, რ-საც იაპ. ქორეოგრაფები (ჰანაიაგი ძიურაკუ, ჰანაიაგი ტოჰუბეი, ფუძიმა კანემონი, ნაკამურა უტაემონი, ნაკამურა ტომიძიურო და სხვ.) ხელმძღვანელობენ. ბუიო სრულდება მუსიკისა და ტექსტის თანხლებით. მთავარი ყურადღება ექცევა კოსტიუმისა და თეატრ. აქსესუარების ფერთა ჰარმონიას, რეკვიზიტის (მარაო, პირსახოცი, ყვავილის ტოტი და ა. შ.) ოსტატურ გათამაშებას. XX ს-ში O-ში ჩნდება ინტერესი ევრ. კლასიკური ბალეტისადმი, რასაც სტიმული მისცა ა. პავლოვას გასტროლებმაც (1922). იაპ. ბალეტის პირველი მოღვაწეები არიან კომაკი მასაჰიდე, მაცუიამა მიკიკო, კაიტანი იაოკო, ტანი მომოკო და სხვ. 1958 შეიქმნა O-ის საბალეტო ასოციაცია. 1960 ტოკიოში გაიხსნა პ. ჩაიკოვსკის სახ. საბალეტო სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ საბჭ. პედაგოგები ს. მესერერი, ა. ვარლამოვი. 1964 ამ სკოლის ბაზაზე შეიქმნა დასი „ტოკიო ბალეტი", რ-იც რეგულარულად დგამს სპექტაკლებს ტოკიოსა და სხვა ქ-ებში. 1966 და 1970 დასი იყო სსრკ-ში. საბალეტო სპექტაკლებიდან აღსანიშნავია „მარიმო", რ-იც დადგეს ბალეტმაისტერებმა ა. ვარლამოვმა და ს. მესერერმა იაპ. ხალხ. ზღაპრების მიხედვით. ბალეტის მსახიობთა მოსკ. I საერთაშ. კონკურსზე პრემიები დაიმსახურა ფუკაგავა ჰიდეოს, იასუდა იუკიკოს და ისია ძიუნის ხელოვნებამ. 1970 პარიზის საერთაშ. ფესტივალზე საუკეთესო ბალეტმაისტერად აღიარეს და I პრემია მიანიჭეს იაპ. კიტაჰარა ჰიდეტერუს. ვარნის VII საერთაშ. კონკურსის დიდი პრიზი (გრანპრი) მიიღო მორისიტა იოკომ.

ლიტ.: Гундзи М., Японский театр Кабуки, пер. с япон., М., 1969.

XVI. დრამატული თეატრი

იაპ. თეატრის სათავე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ უძველეს სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებშია. VII—VIII სს-ში აღმ. აზიის ქვეყნებიდან ბუდიზმთან ერთად O-ში შეაღწია მუს.-საცეკვაო წარმოდგენებმა გიგაკუმ და ბუგაკუმ, რ-თაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იაპ. კლასიკური თეატრის ჩამოყალიბებაში. XIV ს. დასასრულს სხვადასხვა ქვეყნისაგან ნასესხებ და ძვ. იაპ. წარმოდგენათა საფუძველზე შეიქმნა *ნოოს* თეატრი. მასში გაერთიანებული იყო მუსიკა, ცეკვა და დრამ. მოქმედება. ამ უაღრესად პირობითი თეატრის მთავარი პერსონაჟები ნიღბებით გამოდიოდნენ. თეატრის გამოჩენილმა თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა კანიამიმ (1333—84) და ძეამიმ (1363—1443) შეიმუშავეს ნოოს, როგორც არისტოკრ. და სამხ. წოდებისათვის განკუთვნილი რაფინირებული თეატრის, ესთეტ. საფუძველი. ჟანრმა მკაცრად კანონიზირებული ფორმა მიიღო, რაც XX ს-შიც შეინარჩუნა.

XVII ს-ში ქ-ების ზრდასთან დაკავშირებით ახ. თეატრ. ჟანრები განვითარდა, კლასიკური იაპ. თეატრის წამყვან ჟანრებად იქცა თოჯინების თეატრი ძიორური (ბუნრაკუ) და *კაბუკის* თეატრი. ძიორურიში მუს. სასიმღერო თხრობა შერწყმულია თოჯინების მოქმედებასთან, დიდი მნიშვნელობა ეძლევა მომღერალ-მთქმელს გიდაიუს (სახელწ. დაკავშირებულია ამ თეატრის გამოჩენილ მოღვაწესთან ტაკე მოტო გიდაიუსთან, 1651—1714, რ-ის შემოქმედებამ ხელი შეუწყო ამ ჟანრის ჩამოყალიბებას). რეპერტუარს საფუძვლად უდევს იაპ. დრამატურგების, უმთავრესად ტიკამაცუ მონძაემონის (1653—1724) კლასიკური პიესები. კაბუკის თეატრშიც გაერთიანებულია მუსიკა, ცეკვა და დრამ. მოქმედება. ეს ჟანრი საბოლოოდ ჩამოყალიბდა XVIII ს. დასასრ. და ამ სახით არსებობს XX ს-შიც. კაბუკის წარმოდგენები,

რიოანძის მონასტრის „ქვების ბაღი". XV ს.

კ. უტამარო. ფურცელი სერიიდან „ერთგული სიყვარულის გამოცდა". გრავიურა ხეზე. 1800.



ტოკიოს ცენტრი.



ქ. ოსაკის ცენტრალური რაიონი.



იაპონური ლრაჭუნა: მიხაკისფერი ზემოთ — ხოჭო; ქვემოთ — მატლი.

ნოოსა და ძიორურისაგან განსხვავებით, გამიზნულია მასობრივი აუდიტორიისათვის. ქალის როლებს ასრულებენ მამაკაცი მსახიობები (ონაგატა).

XIX ს. დასასრ. სოც. და პოლიტ. გარდაქმნებმა თეატრ. ხელოვნებაზეც მოახდინა გავლენა. XX ს. დასაწყისში იაპ. ტრად. თეატრის (სიმპა, სინკოკუგეკი) ბაზაზე, აგრეთვე, ევრ. ტრად. თეატრ. ფორმების (დრამა-სინგეკი, ოპერა, ბალეტი, რევიუ) მიბაძვით შეიქმნა ახ. თეატრ. ჟანრები. XX ს. II ნახევარში იაპ. თეატრ. ხელოვნება მკვეთრად გაიყო ტრად. (ბუგაკუ, ნოო, კაბუკი, ბუნრაკუ) და ევრ. (დრამა, ოპერა, ბალეტი) თეატრებად. განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის ე. წ. შუალედი ჟანრები — სიმპა და სინკოკუგეკი, რ-ებიც თავის მხრივ ერთმანეთისგან განსხვავდებიან ესთეტ. პრინციპებით, რეპერტუარით, განვითარების საკუთარი გზებით. ტრად. თეატრების რეპერტუარში შედის იაპ. კლასიკოსთა და თანამედროვე იაპ. დრამატურგთა ნაწარმოებები, რ-ებსაც საფუძვლად უდევს ისტ., ჰეროიკული და რომანტ. სიუჟეტები. თანამედროვეობა იაპ. ტრად. თეატრის სცენაზე ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა. კაბუკის ცნობილი მსახიობები არიან ნაკამურა კანძაბურო, ნაკამურა უტაემონი, ონოე ბაიკო, მაცუმოტო კოსირო და სხვ. სინგეკის თეატრის რეპერტუარში შედის ევრ. და ამერ. დრამატურგების, აგრეთვე იაპ. ავტორთა ახ. ნაწარმოებები. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რუს. და საბჭ. ავტორთა დრამატურგიას. Ი-ში სინგეკის ასამდე დასია, მ. შ. „ჰაიუმა“, „მინგეი“, „ბუნგაკუძა“, „„კუმო“. ცნობილი რეჟისორები არიან სენდა კორეია, უნო ძიუკიტი; პოპულ. მსახიობები— ტაკიძავა ოსამუ, ოძავა ეიტარო, სუგიმურა ჰარუკო, იამამოტო იასუე, იამადა ისუჰუ.

ლიტ.: Гундзи М., Японский театр Кабуки, М., 1969; Одзаки К., Новый японский театр, М., 1960; Сато К., Современный драматический театр Японии. Очерки, М., 1973; Японский театр. Сб. статей, под ред. Н. И. Конрада, М., 1928.

XVII. კინო

პირველი ფილმები Ი-ში გადაიღეს 1899. ეროვნ. კინემატოგრაფია ვითარდებოდა ორი მიმართულებით: თანამედროვე სიუჟეტებზე — „გენდაიგეკი“ და ისტ.-ლეგენდარულ სიუჟეტებზე — „ძიდაიგეკი“. 1929—34 დაარსდა „იაპონიის პროლეტარული კინოს კავშირი“, რ-მაც გამოუშვა ფილმები მუშათა მოძრაობაზე. პირველი იაპ. ხმოვანი ფილმია „მეზობელი და ცოლი“ (1931, რეჟ. გოსიო). II მსოფლიო ომამდელ კინოში რეალიზმის მწვერვალია მიძოგუტის ფილმები „ნანივას ელეგია“ და „გიონელი დები“ (ორივე 1936). შემდგომ იაპ. კინოში ჩამოყალიბდა სტილისტური თავისებურებანი. 1939 მიიღეს „კანონი კინოს შესახებ“, რ-მაც იაპ. კინო დაუქვემდებარა მილიტარიზმის მოთხოვნებს. 1948 პროგრ. კინემატოგრაფისტებმა დააარსეს დამოუკიდებელი კომპანიები, სადაც დაიდგა 50-იანი წწ. საუკეთესო იაპ. ფილმები: „სიცარიელის ზონა“ (1952, რეჟ. ს. იამამოტო), „წყვდიადი დღისით“ (1956, რეჟ. ტ. იმაი), „შიშველი კუნძული“ (1960, რეჟ. კ. სინდო) და სხვ. Ი-ის კინო მსოფლიო ეკრანზე გაიტანეს და ეროვნ. კინოხელოვნებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს რეჟისორებმა: მიძოგუტიმ („დაბინდული მთვარის ზღაპრები წვიმის შემდეგ“, 1953), ა. კუროსავამ („რასიომონი“, 1950; „შვიდი სამურაი“, 1954; „ფულადი წვერი“, 1964), კ. იტიკავამ („ტოკიოს ოლიმპიადა“, 1965), მ. კობაიასიმ („შეთქმული“, 1967; „გაქვავება“, 1975). 70-იანი წწ. იაპ. ეროვნ. კინოს ღრმა კრიზისის პერიოდია, რ-იც გამოწვეულია შეცვლილი ეკონ. სიტუაციითა და ტელევიზიის კონკურენციით. მკვეთრად დაეცა ფილმების მწატვრული დონე. ბოლო პერიოდის შედარებით ცნობილი ფილმებია „ახალგაზრდები“ (1968, რეჟ. ტ. მორიკავა), „სამშობლო“ (1972), „თანამოაზრენი“ (1975, ორივეს რეჟ. ი. იამადა), „ცერემონია“ (1971, რეჟ. ოსიმა). 1975 Ი-ში გამოვიდა 396 მხატვრული ფილმი.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 97. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 80—81.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ (Ginko Nippon), სახელმწიფო ცენტრალური საემისიო ბანკი იაპონიაში. შეიქმნა 1882 როგორც სააქციო საზ-ბა, 1948-იდან ბანკის კაპიტალის 55% ეკუთვნის სახელმწიფოს. კერძო აქციონერები ბანკის მმართველობაში არ მონაწილეობენ. ბანკს აქვს 31 განყ-ბა იაპონიაში და ჰყავს წარმომადგენლობა ნიუ-იორკსა და ლონდონში. მისი ძირითადი ფუნქციებია: ფულის ნიშნების ემისია, კერძო ბანკების რეზერვების შენახვა და მათთვის კრედიტების გაცემა, საერთაშ. საგადასახდელო რეზერვების შენახვა, ეროვნ. ვალუტის კურსის უზრუნველყოფა, სავალუტო კონტროლი და სხვ. ბანკი მთავრობის მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ, ნახევრად დახშული ზღვა წყნარ ოკეანეში, ევრაზიის კონტინენტსა და იაპ. კ-ებს შორის, ჩრდ-ით ოხოტის ზღვასთან დაკავშირებულია ნეველსკოისა და ლაპერუზის სრუტეებით, აღმ-ით წყნარ ოკეანესთან — ცუგარუს (სანგარი) სრუტით, სამხრ-ით აღმ. ჩინეთის ზღვასთან — კორეის სრუტით. ფართ. 1062 ათ. *კმ*², საშ. სიღრმე 1536 *მ*. ნაპირები მაღალი და ფლატეებიანია, სანაპირო ხაზი — ნაკლებად დანაწევრებული. მნიშვნელოვანი ყურეებია პეტრე დიდისა და აღმ. კორეის. Ი. ზ-ის ფსკერი წარმოადგენს ჩაკეტილ ქვაბულს. მაქს. სიღრმე 3699 *მ*. ცენტრ. ნაწილში ქვაბული მაღლდება და აჩენს დიდ თავთხელს. ზღვის ფსკერი დაფარულია ლამის სქელი ფენით, თავთხელზე ქვიშა და წვრილი ხრეშია.

Ი. ზ-ის ჰავა ზომიერი, მუსონური. ზამთარში ბატონობს ჩრდ.-დას. ციცი მუსონი, მისი სიჩქარე ამ დროს 5—12 *მ/წმ* აღწევს; ზაფხულობით — სუსტი სამხრ.-აღმ. ნოტიო და თბილი მუსონი, მისი სიჩქარე 4 *მ/წმ* არ აღემატება. მაის-ოქტში ხშირია ტაიფუნი. ჰაერის ტემპ-რა ზამთარში ჩრდ. ნაწილში —15°C, ხოლო სამხრ-ში 6°C; ზაფხულში, შესაბამისად, 17°C და 25°C. ზამთრობით ხშირია ღრუბლიანობა, ზაფხულობით — ნისლი. ჩრდ. და ჩრდ.-დას. ნაწილში ნალექების წლ. ჯამი 310—500 *მმ*-ია, სამხრ. და სამხრ.-დას. ნაწილში — 1500—2000 *მმ*.

Ი. ზ-ის ზედაპირულ დინებებს ახასიათებს ციკლონური ბრუნვა, რ-ის აღმ. პერიფერიას შეადგენს კუროსიოს (ცუსიმის) თბილი დინება, დას-ისას—ცივი ზღვისპირეთის დინება. კუროსიოს დინებას წელიწადში ზღვაში შეაქვს 57405 *კმ*³ წყალი. კონტინენტური ჩამონადენი 1390 *კმ*³ არ აღემატება, ატმ. ნალექების სახით 212 *კმ*³ წყალი შედის. წლ. აორთქლება 900 *კმ*³. Ი. ზ-ს ინტენს. წყალცვლა აქვს მეზობელ ზღვებთან.

კუროსიოს თბილი დინება გადამწყვეტ როლს ასრულებს ზღვის სითბურ ბალანსში. ზამთრობით ზღვის წყლის ზედაპირული ტემპ-რა ჩრდ-იდან სამხრ-კენ იცვლება—1,3-იდან 11—12°C-მდე, ზაფხულში კი 17-იდან 26°C-მდე. Ი. ზ. იყინება მხოლოდ ჩრდ. ნაწილში, ყინულძვრა მარტ-აპრილშია. ზღვის წყალი მომწვანო-მოცისფროა. გამჭვირვალობა ბევრ ადგილას 10 *მ* აღემატება. მცენარეულობა ყვავილოვან და წყალმცენარეების 800 სახეობას ითვლის. Ი. ზ. მდიდარია თევზით. ჩრდ. ნაწილში ბევრია ქაშაყი, ვირთევზა, ნავაგა, ორაგულისებრნი, ქამბალა, მოივა და ზღვის ქორჭილა; ზღვის სამხრ. ნაწილში ჭარბობს სითბოს მოყვარული თევზები: სარდინი, სკუმბრია, ზღვის გველთევზა, თინუსი, ბევრია კუ, სხვადასხვა სახის კიბორჩხალა და ხამანწკა.

Ი. ზ-ს უდიდესი სატრანს. მნიშვნელობა აქვს. მასზე გადის საბჭ. კავშირის, იაპ. და კორ. ურთიერთდამაკავშირებელი წყლის გზები, აგრეთვე სატრანზიტო ხაზები ჩინეთსა და ამერიკაში. უდიდესი ნავსადგურებია: ვლადივოსტოკი, ნახოდკა, სოვეტსკაია-გავანი, ალექსანდროვსკ-სახალინსკი (სსრკ), ოტარუ, ნიიგატა, ცურუგა, მაიძურუ (იაპონია), ჩხონგჯინი, ჰინამი და ვონსანი (კორეა). Ი. ზ-ში ფართოდაა განვითარებული თევზჭერა და წყალმცენარეების მოპოვება.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲝᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (ᲘᲙᲞ; ნიჰონ კიოსანტო), შეიქმნა 1922 წ. 15 ივლ. დამფუძნებელ ყრილობაზე ტოკიოში. ყრილობამ მიიღო პარტიის დროებითი წესდება, მიმდინარე საქმიანობის პროგრამა, გადაწყვეტილება კომინტერნში პარტიის შესვლის შესახებ. II მსოფლიო ომის დამთავრებამდე მუშაობდა არალეგალურად. ამ მძიმე პირობებში იკპ თანამიმდევრულად იბრძოდა იაპ. იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, იცავდა მშრომელთა ინტერესებს, იყო პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული. II მსოფლიო ომში (1939—45) იაპ. მილიტარიზმის განადგურების შემდეგ იკპ გამოვიდა არალეგალური მდგომარეობიდან. 1949 იკპ რიგებში იყო დაახლ. 200 ათ. კაცი. კორეაში ომის დაწყების წინ იკპ რეპრესიებს განიცდიდა ამერ. საოკუპაციო ხელისუფლობის მხრივ. პარტიის ხელმძღვანელთა შორის გამწვავდა უთანხმოებანი სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში, რაც გაგრძელდა 50-იანი წლების შუა ხანებამდე.

იკპ VIII ყრილობამ (1961) მიიღო პარტიის ახ. პროგრამა, რ-იც ითვალისწინებს ხალხის ახ. დემოკრ. რევ. განხორციელებას ორი მტრის (ამერ. იმპერიალიზმისა და იაპ. მონოპ. კაპიტალის) წინააღმდეგ. ახ. დემოკრ. რევოლუცია უნდა გადაიზარდოს სოციალ. რევოლუციაში. იკპ-ის XI ყრილობამ (1970), მიიღო საპროგრამო დოკუმენტი — რეზოლუცია „70-იანი წლების პერსპექტივები და იკპ ამოცანები“, რ-ის მიზანი იყო დემოკრ. ძალების ერთიანი ფრონტის შექმნა და 70-იან წლებში დემოკრ. კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება. იკპ-ის XII ყრილობამ (1973) ხაზგასმით აღნიშნა, რომ დემოკრ. კოალიც. მთავრობა მოწოდებულია განახორციელოს მთელი რიგი დემოკრ. რეფორმები, გააუქმოს იაპონია-ამერ. „უშიშროების ხელშეკრულება“ და გაატაროს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, მაგრამ არ უნდა დაისახოს სოციალიზმში გადასვლის ამოცანა, რ-ის შესახებაც საკითხი შეიძლება დაისვას შორეულ მომავალში. ყრილობამ იკპ პროგრამაში შეიტანა ცვლილება, ტერმ. „პროლეტარიატის დიქტატურა“ „მუშათა კლასის მმართველობით“ შეიცვალა. 1976 წ. 28—30 ივლ. ჩატარდა იკპ რიგგარეშე ყრილობა, ხოლო 1977 წ. 17—22 ოქტ. იკპ XIV ყრილობა. იკპ-ში არის დაახლ. 400 ათ. წევრი. ორგანიზაციულად იკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე. უმაღლესი ორგანოა ყრილობა. ყრილობებს შორის პარტიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცკ, რ-იც ირჩევს პრეზიდიუმს და ცკ-ის სამდივნოს, პრეზიდიუმი აფუძნებს პრეზიდიუმის მუდმივ ბიუროს. იკპ ცკ-ის თავ-რეა ს. ნოსაკა. ცკ-ის პრეზიდიუმის თავ-რეა კ. მიამოტო, ცკ-ის სამდივნოს თავ-რე —ტ. ფუვა. იკპ დელეგატები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, მოსკოვი). იკპ სცემს ყოველდღიურ გაზეთს „აკაჰატა“ („წითელი დროშა“).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (ᲘᲡᲞ; ნიჰონ სიაკაიტო), შეიქმნა 1945 წ. 2 ნოემბ. ომამდელი ს.-დ. პარტიებისა

და ჯგუფების წევრთა გაერთიანებით. იმის შემდგომ წლებში ისპ გახდა წამყვანი ოპოზიციური პარტია. ზოგიერთ ხურჯ. პარტიასთან ერთად ისპ-მ შეადგინა მთავრობა თავისი გენ. მდივნის ტ. კაჯაიამას (1947 მაისი — 1948 თებ.) მეთაურობით. მონაწილეობდა ჰ. ასიდას (1948 მარტი –ოქტ.) კოალიციურ კაბინეტში. ვერ შეასრულა წინასაარჩევნო დაპირებები, რის გამოც 1949 პარლამენტის არჩევნებზე დამარცხდა. 1951 ოქტ. ისპ გაითიშა; შეიქმნა მემარცხენე ისპ და მემარჯვენე ისპ. 1955 ოქტ. ეს პარტიები გაერთიანდა ისპ-ად. მიიღეს ისპ-ის წესდება და პროგრამა. 1959 — 60 ისპ-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" წინააღმდეგ ბრძოლაში, ხშირად თანამშრომლობდა იაპ. კომპარტიასთან (იკპ). ისპ-ის პოლიტიკამ გამოიწვია მისი მემარჯვენე ფრთის უკმაყოფილება, ამ ფრთის ნაწილი ს. ნისიოს მეთაურობით გამოვიდა ისპ-იდან და შექმნა (1960 იანვ.) მემარჯვენე რეფორმისტული დემოკრ. სოციალიზმის პარტია (დსპ).

1962 ისპ-ის ცაკთან საპროგრამო დოკუმენტების შესამუშავებლად შეიქმნა სოციალიზმის თეორიის კომიტეტი (თავ-რე მ. სუძუკი, შემდგეგ ს. კაცუმატა). 1969 ისპ-ის XXXII ყრილობაზე, როგორც „პარტიის იდეურ-თეორიული ბაზა", მოიწონეს დოკუმენტი „გზა სოციალიზმისაკენ იაპონიაში". იგი ითვალისწინებს პარლამენტში ძალაუფლების მოპოვებით სოციალიზმის აშენებას. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იქნებოდა კოალიციური მთავრობის შექმნა ისპ-ის მეთაურობით. ისპ-ის XXXVII ყრილობამ (1974) მოიწონა „სახალხო კოალიციური მთავრობის პროგრამა", რ-იც უნდა შეიქმნას „სახალხო ფრონტის ძალების" ბაზაზე. ისპ თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს ყველა ოპოზიციურ პარტიას (კომუნისტური პარტიის ჩათვლით).

ისპ ხელმძღვანელობს „შეუიარაღებელი ნეიტრალიტეტის თეორიით", მხარს უჭერს სხვადასხვა სოც. წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას, იაპ. ნეიტრალიტეტს, ბირთვული იარაღის აკრძალვას, სრულ განიარაღებას, იაპ. „თავდაცვის ძალების" დაშლას, ისპ სარგებლობს პროფკავშირების გენსაბჭოს (სოპიო) მხარდაჭერით. 1976 იანვრისათვის პარლამენტში ოპოზიციურ პარტიებს შორის ისპ-ს ჰყავდა ყველაზე მეტი წარმომადგენელი, 114 (491-იდან) ადგილი წარმომადგენელთა პალატაში და 62 (252-იდან) მრჩეველთა პალატაში. ისპ აგებულია ტერიტ. პრინციპზე. უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რ-საც ყოველწლიურად იწვევენ, ყრილობებს შორის ცკ პლენუმი. პარტიას მუდმივ ხელმძღვანელობას უწევს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი (ცაკ), ცაკის თავ-რეა ი. ასუკატა, გენ. მდივანი— ს. ტაგაია. ბეჭდვითი ორგანოები გაზ. „სიაკაი სიმპო", ჟურნ. „გეკან სიაკაიტო".

იაპონიის ღარი, ღრმა წყლის ღრმული წყნარ ოკეანეში, კ. ჰონსიუს აღმ. კალთის ძირას. ჩრდ-ით უერთდება კურილ-კამჩატკის ღრმულს, სამხრ-ით — იბუ-ბონინის ღრმულს. სიგრძე დაახლ. 1000 *კმ*, სიღრმე 8412 *მ*. ფსკერი ბრტყელი აკუმულაციური ვაკეა, რ-ის სიგანეა დაახლ. 20 — 36 *კმ*.

იაპონიის შიგა ზღვა, სეტო-ნაიკაი, ზღვებისა და სრუტეების სისტემა ჰონსიუს, კიუსიუსა და სიკოკუს კ-ებს შორის. წყნარ ოკეანეს უკავშირდება კიისა და ბუნგოს სრუტეებით, იაპონიის ზღვას — სიმონოსეკის სრუტით. სიგრძე 445 *კმ*-მდე. სიღრმეები უმეტესად 20—60 *მ*, მაქს. — 241 *მ*. წყლის საშ. ტემპ-რა ზედაპირზე თებ-ში დაახლ. 16°C, აგვ-ში დაახლ. 27°C. მარილიანობა 30—34‰. ნაპირები ძალზე დანაწევრებულია, ბევრია კუნძული. **ი. შ. ზ.** იაპონიის მნიშვნელოვანი შიგა წყლის გზაა. მთავარი ნავსადგურებია: კობე, ოსაკა, მოძი, სიმონოსეკი, კურე (საბჭ.-საზღვ. ბაზა).

იაპონური დამწერლობა, დამწერლობის სისტემა, რ-შიც შერწყმულია იდეოგრაფიული და ფონეტიკური პრინციპები. იეროგლიფები გადმოღებულია ჩინურიდან (VI—VII სს.). თავდაპირველად დამწერლობის პრინციპიც ჩინური იყო, მოგვიანებით ზოგიერთ ნიშანს მიენიჭა მარცვლის მნიშვნელობა. სილაბური ანბანი ორი სახისაა: 1. კატაკანა (ევრ. ენებიდან ნასესხებ საკუთარ და საზ. სახელთა ჩასაწერად, ტელეგრამებისათვის) და 2. ჰირაგანა. იეროგლიფების რაოდენობა 15 ათასს აღწევს, მაგრამ ერთდროულად ფაქტობრივად მხოლოდ 5—6 ათასს იყენებდნენ (ამჟამად დაყვანილია 1850-მდე).

იაპონური ენა, იაპონიის სახელმწიფო ენა. ი. ე-ზე იაპონიაში ლაპარაკობს 108 მლნ. კაცი (1973, შეფასება). გავრცელებულია აგრეთვე აშშ-ში (დაახლ. 600 ათ. კაცი), ბრაზილიაში (600 ათასზე მეტი კაცი) და სხვ. ქვეყნებში. ბგერითი შემადგენლობის, გრამატ. წყობისა (არ გააჩნია თავკიდური r, შემასმენელი წინადადების ბოლოსაა) და უძველესი საერთო ძირების მიხედვით მიაკუთვნებენ ალთაურ ენებს. ი. ე-ს საერთო ლექსიკა აქვს მალაიურ ენებთან, დადასტურებულია ნასესხობანი ინდოევრ. ენებიდანაც (4%). იაპ. ძირების ნახევარი ჩინ. ენიდან მომდინარეობს, რაც დაკავშირებულია იაპონიაში ჩინ. იეროგლიფური დამწერლობისა და ბუდიზმის გავრცელებასთან.

ლიტ.: Фельдман Н. И., Японский язык, М., 1960.

იაპონური მიხაკისფერი ლრანჯუნა (Maladera japonica), ხოჭო ხეშეშფრთიანთა რაზმისა. ზედა ფრთები და სხეული მიხაკისფერი აქვს. მისი სხეულის სიგრძეა 10 *მმ*, მატლისა — 15—20 *მმ*. გავრცელებულია აზიაში, აშშ-ში; სსრკ-ში — შორეულ აღმოსავლეთსა და საქართველოში. აზიანებს ჩაის, მანდარინს, ლიმონს, ვაშლს, მსხალს, თამბაქოს, ბოსტნეულ კულტურებსა და სხვ. განსაკუთრებით ეტაბება ტუნგის პირველი წლის აღმონაცენს. ხოჭო ღრღნის ფოთლის რბილობს, ზოგჯერ მთელ ფირფიტას. ზამთარს ატარებს მატლის ფაზაში. წელიწადში ერთი გენერაცია აქვს. ბრძოლისღონისძიებანი: ხელოვნურ სინათლეზე მწერსაჭერით ხოჭოების მიზიდვა და მოსპობა; დამატებითი კვების პერიოდში ჩაისა და სარეველა მცენარეების დამუშავება ფოზალონით, ქლოროფოსითა და სხვ.

იაპონური ჩხირისებური შარიანა (Lopholeucaspis japonica), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. სუბტროპ. კულტურების მავნებელია. აზიანებს აგრეთვე თესლოვან და კურკოვან ხეხილს. დედალს სხეული მთლიანად დაფარული აქვს მონაცრისფრო ფარით, ფარქვეშ კი იისფერია. მამალი ფრთიანია. ი. ჩ. შ. იმდენად პატარაა (1,5 *მმ*), რომ ძნელად შესამჩნევია მცენარეზე. წლის განმავლობაში ორი თაობა ვითარდება. დედალი კვერცხის დებას იწყებს მაისის პირველ რიცხვებში (დებს 40—60 კვერცხს). მატლის გამოჩეკა იწყება მაისის შუა რიცხვებიდან და გრძელდება ივნისში, მეორე თაობისა კი — აგვ-ში. ი. ჩ. შ. აზიანებს შტამბსა და ტოტებს. დაზიანებულ მცენარეს სცვივა ფოთოლი, ნაყოფი და ხმება. მწერის მოსასპობად მიმართავენ ფუმიგაციას, პესტიციდების შესხურებას და სხვ.

ზ. ჰაჯიბეილი.

იაპონური ცვილისებური ცრუშარიანა (Ceroplastes japonica), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. ციტრუსოვან კულტურათა მავნებელია. აზიანებს აგრეთვე დაფნას, ხურმას, ბრიწეულს და სხვ. დაზიანებული მცენარე კნინდება და ხმება. დედლის სხეული 4—6 *მმ* აღწევს, დაფარულია თეთრი ცვილის ფირფიტებით. კვერცხდების პერიოდში მწერის სხეული ამობურცულია. მამალი ფრთიანია. ი. ც. ც-ს სამშობლოდ იაპონია ითვლება. სსრკ-ში გვხვდება დას. საქართველოში. წლის განმავლობაში ვითარდება ერთი თაობა. ახალგაზრდა განაყოფიერებული დედალი გამოიზამთრებს და გაზაფხულზე, მაისის ბოლოს, დებს 300—2300 კვერცხს. მატლის გამოჩეკა იწყება ივნ. ბოლოს ან ივლ. დასაწყისში. განვითარება სრულდება ორ თვეში. სექტ. შუა რიცხვებში დედლები განაყოფიერდებიან. საქართველოში ამ მწერის წინააღმდეგ ბრძოლა ტარდება ქიმ. პრეპარატებით.

ზ. ჰაჯიბეილი.

იაჟუჟუნა, სამფეროვანი ია (Viola tricolor), ერთ- და ორწლოვანი ბალახოვანი მცენარის სახეობა იისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. დეკორ. მებაღეობაში ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებსა და ჯიშებს, რ-ებსაც სხვადასხვა შეფერილობის ყვავილები აქვთ, აგრეთვე ი-სა და სხვა იების რთულ ჰიბრიდებს. ველურ ი-ს მედიცინაში ამოსახველებელ საშუალებად იყენებენ.

ლ. ასეიშვილი.

იარალი და ზაქარია, ქართველი სამხედრო მოღვაწეები. თავი გამოიჩინეს ოსმალებისა და ყირიმელი თათრების წინააღმდეგ 1609 სოფ. ნიაბთან, სხერტის ჭალაში (ახლანდ. კასპის რ-ნი) მომხდარ ბრძოლაში. გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე.

წყარო და ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედ., [თბ.], 1939; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

იარანგა, გადასატანი მრგვალი კარავი. გავრცელებული იყო ჩუქჩებსა და კორიაკებს შორის, აგრეთვე ევენებისა და იუკაგირების ცალკეულ ჯგუფებში.

იარალი (სამხ.), შეიარაღებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, მისი ტექნიკის და ნაგებობების გასანადგურებელი მოწყობილობებისა და საშუალებების საერთო სახელწოდება. ი-ის განვითარება წარმოების წესზე, განსაკუთრებით საწარმოო ძალთა განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ი-ის ახალ სახეობათა შექმნა იწვევს მნიშვნელოვან, ზოგჯერ, ძირეულ ცვლილებებს ბრძოლის ხერხებსა და ფორმებში, აგრეთვე ჯარის ორგანიზაციაში. თავის მხრივ ი. ვითარდება სამხ. ხელოვნების ზეგავლენით. ი. გაჩნდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ სტადიაში, როგორც ნადირობისა და თავდაცვის საშუალება. პირველ ი-ს — კეტს ან კომბალს, მათ სახესხვაობებს ბუმერანგს, აგრეთვე პირიან ხის შუბს, შურდულსა და ბოლას (ქამანდის სახესხვაობა) პალეოლითის ეპოქაში იყენებდნენ. პალეოლითის დასასრულს შუბსატყორცნი გამოჩნდა, მეზოლითის ეპოქაში მშვილდ-ისარი. ნეოლითის ეპოქაში ჩნდება ი-ის ახ. სახეობანი — ქვის ცული, ლახტი და სატევარი (ხანჯალი). ი-ის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია დამცავი შეიარაღების შექმნა. ლითონის (ბრინჯაო, რკინა) გამოყენებას მოჰყვა ი-ის სახეობებისა და ფორმების ცვლილებები; დაიწყო სპეციალიზებული სამხ. ი-ის: ლახვრების (მახვილების), ჩუგლუგების (თოხნაჯახების), შუბებისა და სხვ. დამზადება. ხმალი საქართველოში ჩნდება V—VI სს-ში (გორგასალმა „...აღმოიხადა ხრმალი და შეამოხვია ჯვარსა", ჯუანშერი), რუსეთში—X ს-ში, გაცილებით გვიან—დას. ევროპაში. ძვ. აღმოსავლეთის, განსაკუთრებით საბერძნეთისა და რომის არმიებში, აგრეთვე ქართულ ლაშქარში იყენებდნენ მძიმე ლოდსატყორცნ მანქანებს („მეფემან ბაგრატ... მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი", ძატიანე ქართლისა). დენთის გამოგონების შემ-

იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა. დედალი.

იაჟუჟუნა.

ჩუქჩური იარანგა.



იარაჯულები: 1-დუგმა. 2-აბჯრის ნაწილი. 3-საკინძი. 4-საბეჭდავი. 5-ბეჭედი. 6-მშვილდსაკინძი. 7-დანა. 8-სარტყლის ნაწილი (3-ვერცხლი, დანარჩენი—ბრინჯაო). თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ქ. იარმათოვი.

იაროსლავ ბრძენი.

დეგ გაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღი, რ-ის პირველ ნიმუშებს (მოდფა) არაბები XII—XIII სს-ში იყენებდნენ. იმდროინდელი ქვემეხებით ქვის ბირთვებს ისროდნენ. პირველი ხელის ცეცხლსასროლი იარაღი იყო პიშჩალი (რუს.), პერტინალი (ფრანგ.), ფილთამეხი (ქართ.). XV—XVI სს-ში დაიწყეს თუჯისა და ბრინჯაოს ლულიანი ქვემეხის დამზადება, რ-ითაც თუჯისა და ბრინჯაოს ბირთვებს ისროდნენ. მარცვლოვანმა დენთმა გაამარტივა O-ის დატენა და გაზარდა სწრაფმსროლობა. XIV ს-ში რუსეთში ლახვარი შეცვალა ხმალმა, დას. ევროპაში—დაშნამ. XV ს-ში გაჩნდა ხელის ცეცხლსასროლი იარაღი—არკებუზი. XVI ს-ში ფითილიანი საკეტის, სასხლეტი კაუჭისა და ჩახმახის შექმნის შემდეგ შექმნეს უფრო სრულყოფილი თოფი-მუშკეტი, აგრეთვე დამბაჩა. XVII ს-ში თოფს ხიშტი დაემატა (ს ა ბ ა, „ხიშტი — პირგრძელი ლახვარი"). ამავე საუკუნეში გამოჩნდა ლულიდან დასატენი კაჟიანი თოფი და ხრახნილლულიანი შორსმსროლი ქვემეხები. XIX ს. შუახანებში არმიები და ფლოტები შეიარაღდა სახაზინო ნაწილიდან დასატენი ქვემეხებით, სავაზნეკოლოფიანი შაშხანებით, კარაბინებით, ნაღმებით, შემდეგ — ტორპედოებით. O-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია ავტომ. O-ის (ავტომ. ზარბაზანი, ტყვიამფრქვევი და სხვ.) შექმნა (XIX ს. მიწურული), რ-ის სწრაფი გავრცელება უკვამლო დენთის გამოგონებასთან არის დაკავშირებული. ნაღმსატყორცნი პირველად რუს.-იაპ. ომში (1904—05) გამოიყენა რუს. არმიამ, შემდეგ კი სხვა არმიებში გავრცელდა. I იმპერიალ. ომში (1914—18) ავიაციისა და ტანკების გამოყენებას მოჰყვა მათი შეიარაღების განვითარება (საავიაციო და სატანკო ტყვიამფრქვევები, ქვემეხები, საავიაციო ბომბები). საზენიტო ქვემეხის ერთ-ერთი პირველი სახეობა რუს. არმიაში 1915 მიიღეს. საზღვ. ფლოტი შეიარაღდა ტორპედოებით, სიღრმეული ბომბებით, ნავსაწინააღმ ჭურვებით, საზღვ. ავიაცია — საავიაციო ბომბებით, ტორპედოებით. ქიმ. O. პირველად გერმანელებმა გამოიყენეს (1915 — ქლორი, 1916 — ფოსგენი, 1917 — იპრიტი და შხამიანი კვამლი). II მსოფლიო ომის (1939—45) დაწყების წინ შეიქმნა გაუმჯობესებული საველე და საზღვ. არტილერია, სატანკო და ტანკსაწინააღმ ქვემეხები, ავტომ. შაშხანები, ტანკსაწინააღმ თოფები, დამბაჩები, დამბაჩა-ტყვიამფრქვევები, ხელის, დაზგიანი და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები, აგრეთვე სპეც. ტყვიამფრქვევები (საავიაციო, სატანკო, საზენიტო), თვითმავალი ქვემეხები. სსრკ სამხ.-საჰაერო ძალები 1937—38 შეიარაღდა 82 და 132 *მმ* რეაქტიული ჭურვებით. დიდი სამამულო ომის (1941—45) დასაწყისში, 1941 ივლ., წითელ არმიაში პირველად გამოიყენეს საველე რეაქტიული დანადგარი („კატიუშა"). შემდეგ მსგავსი O. გაჩნდა გერმ.-ფაშისტურ და აშშ-ის არმიებში. 1943—44-იდან წითელი არმია ფართოდ იყენებდა 76, 100, 122 და 152 *მმ* კალიბრის თვითმავალ საარტ. დანადგარებს, ხოლო 1943-იდან 160 *მმ*-კალიბრის ნაღმსატყორცნებს. წითელი არმიის ტანკები აღჭურვილი იყო უმთავრესად 85—122 *მმ* კალიბრის ზარბაზნებითა და 7,62—12,7 *მმ* კალიბრის ტყვიამფრქვევებით, გერმ. ტანკები — 37—38 *მმ* კალიბრის ზარბაზნებით. 1944-ში გერმ.-ფაშისტური არმია იყენებდა მართულ თვითმფრინავჭურვს (ფაუ-1) და მართულ ბალისტიკურ რაკეტას (ფაუ-2). 1945 აგვ-ში აშშ-მა გამოიყენა O-ის ახ. სახეობა — *ბირთვული იარაღი*. 1949 სსრ კავშირმა მოაწყო ატომურ მოწყობილობათა ექსპერ. აფეთქება. შემდეგ ბირთვული O. შექმნეს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ჩინეთში. ომის შემდგომ წლებში ფართოდ განვითარდა სხვადასხვა კლასის რაკეტები — ბირთვული O-ის ძირითადი მზიდავები. ბირთვული საბრძოლო ნაწილების მქონე რაკეტებს რაკეტულ-ბირთვული O. ეწოდება. ბირთვული O-ის შექმნამ ძირეულად შეცვალა შეხედულება საბრძოლო მოქმედების ხერხებსა და ფორმებზე და საერთოდ ომზე, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ორგანიზაციასა და სტრუქტურაზე.

თანამედროვე O. იყოფა ბირთვულ, ქიმ., ბაქტერიოლოგიურ, ცეცხლსასროლ, რეაქტიულ, რაკეტულ, სანაღმო, სატორპედო და ცივ იარაღად; პირველი სამი მასობრივი მოსპობის O-ებია, დანარჩენი—ჩვეულებრივი. საარტ. O. შეიცავს სხვადასხვა ტიპის ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, მცირეკალიბრიან ავტომ. საზენიტო ზარბაზნებს, სახომალდე არტილერიას, სატანკო ზარბაზნებს, ბათქითი ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს; სასროლი O. და ახლო ბრძოლის საშუალებები — დამბაჩებს, დამბაჩა-ტყვიამფრქვევებს, ავტომ. შაშხანებს, ხელის, დაზგისა და მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს, ხელის გრანატმტყორცნებსა და ხელყუმბარებს. რაკეტები საბრძოლო დანიშნულების მიხედვით იყოფა ტანკსაწინააღმ მართულ, ტაქტიკურ, ტაქტიკურ-ოპერატ., სტრატეგიულ (საკონტინენტთაშორისო) და საზენიტო მართულ რაკეტებად. ბირთვული საბრძოლო ნაწილის მქონე სტრატეგიული რაკეტები ითვლება ისტორიაში პირველ იარაღად, რ-საც შეუძლია სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტა. სანაღმო O-ს განეკუთვნება ტანკებისა და ქვეითთა საწინააღმდეგო და საზღვაო ნაღმები, ტორპედულ O-ს სხვადასხვა ტიპის ტორპედოები. ფლოტი შეიარაღებულია აგრეთვე ნავსაწინააღმ რეაქტიული და ჩვეულებრივი ბომბსატყორცნებით, ხოლო ავიაცია — ფუგასური, ცეცხლგამჩენი, მსხვრევადი და სხვ. ბომბებით. თანამედროვე ცივ O-ს განეკუთვნება ხიშტი, არმიული დანა და ქორდიკი (დაშნა). ომის შემდეგ განვითარდა სხვადასხვა ტიპის ბირთვული საბრძოლო მასალები: საავიაციო ბომბები, ტორპედოები, ფუგასები და სიღრმეული ბომბები, საარტ. ჭურვები; გაიზარდა მსხვრევადი, ფუგასური, კუმულაციური და სხვ. საბრძოლო მასალების დამზიანებელი მოქმედება. შეიქმნა რაკეტების კასეტური საბრძოლო ნაწილები, აქტიურ-რეაქტიული ჭურვები და ნაღმები, ნაპალმის საავიაციო ბომბები და სხვ. შეიქმნა სროლის მოსამზადებელი, ცეცხლისა და იარაღის სამართავი ხელსაწყოები და მოწყობილობები (რადიოსალოკაციო სადგურები, ლაზერული მანძილსაზომები, ღამით ხედვის სამიზნეები და ხელსაწყოები და სხვ.). უცხ. პრესის მონაცემებით, ზოგიერთ ქვეყანაში ქმნიან ნეიტრონულ, ლაზერულ იარაღსა და დაზიანების კოსმ. საშუალებებს.

ლიტ.: Э н г е л ь с Ф., Избр. военные произведения, т. 1, М., 1956; Ф е д о р о в В. Г., Эволюция стрелкового оружия, ч. 1—2, М., 1938—39.

ი. შაიშმელაშვილი.

იარალი (სამართ.), სსრკ-ში კუთხვილლულიანი ცეცხლსასროლი O. არ შეიძლება იყოს მოქალაქის პირად სარგებლობაში, თუ ამისათვის არ არსებობს საზ. წესრიგის დაცვის ორგანოთა სათანადო ნებართვა. ცეცხლსასროლი O-ის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა) უნებართვოდ ტარება, შენახვა, შეძენა, დამზადება ან გასაღება იწვევს სისხლისსამართ. პასუხისმგებლობას—თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 238). სისხლის სამართ. წესით პასუხს აგებს აგრეთვე ის მოქალაქეც, რ-იც თუმცა სათანადო ნებართვის საფუძველზე ფლობს ცეცხლსასროლ O-ს, მაგრამ იმდენად დაუდევრად ინახავს მას, რომ სხვა პირს ეძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობა (მ. 239). მოქალაქე თავისუფლდება სისხლისსამართ. პასუხისმგებლობისაგან, თუ ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ O-ს, რ-ზედაც მას ნებართვა არ ჰქონდა.

ცივი O-ის (ხანჯლის, ფინური დანის ხმლის, კასტეტის და სხვ.) შენახვა თავის თავად არ ისჯება. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ასეთი O-ის უნებართვოდ ტარების, დამზადებისა და გასაღებისათვის, რაც ისჯება ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე, ან ჯარიმით 50 მანეთამდე (მ. 238, ნაწ. 2). ცივი O-ის ტარება აკრძალული არ არის იმ ადგილებში, სადაც იგი ეროვნ. ტანსაცმლის სამკაულს წარმოადგენს (მაგ., ამიერკავკ. რესპუბლიკებში) ან დაკავშირებულია რეწვასთან, სამსახურისა თუ ყოფა-ცხოვრების პირობებთან (მაგ., უკიდურეს ჩრდ. რ-ნებში).

იარაჯულები, სოფელი თიანეთის რ-ში (ზარიძეების სოფსაბჭო), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (ქუსნოს შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1200 *მ*, თიანეთიდან 8 *კმ*. ტუმურების მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ზარიძეებში (1 *კმ*). ბ-კა. O-ის მახლობლად (ადგილ სამარწყვეში) აღმოჩენილია VI—VIII სს. ქვის სამარხები. ნაპოვნია სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. *ბ. ჯორბენაძე.*

იარდი (ინგლ. yard, პირვანდელი მნიშვნელობა — ჯოხი, ღერო), სიგრძის ძირითადი საზომი ერთეული ინგლ. საზომთა სისტემაში. ტოლია 0,9143992 *მ* ინგლისში და 0,9144018 *მ* აშშ-ში (ასეთი გაზომვებისას, რ-ებიც განსაკუთრებით დიდ სიზუსტეს არ მოითხოვს, O-ის მნიშვნელობად მიღებულია 0,9141 *მ*). 1 O.=3 *ფუტს*=36 *დუიმს*, ხოლო წინანდელ რუსულ საზომთა სისტემაში 1 O.=3/7 *საჟენს*=9/7 *არშინს*.

იარვეტი იური ევგენის ძე (დ. 18. VI. 1919, ტალინი), ესტონელი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1975). 1952-იდან ტალინის კინგისეპის სახ. დრამ. თეატრის მსახიობია (1965—67 მოსკ. ახალგაზრდულ თეატრში მოღვაწეობდა). O-ის მიერ შექმნილი სცენური სახეებიდან აღსანიშნავია: მასხარა, ვოიტინსკი (ტამსაარეს „მეფეს სცივა", „ადამიანი და ღმერთი"), კლავდიუსი („შექსპირის „ჰამლეტი") და სხვ. გადაღებულია ფილმებში: „მკვდარი სეზონი" (1968), „მეფე ლირი" (1971), „სოლარისი" (1972) და სხვ. ქართ. სატელევიზიო მრავალსერიიან მხატვრულ ფილმში „დათა თუთაშხია" (1979) შეასრულა გრაფ სეგედის როლი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

იარლიყი (თურქ. — ბრძანება), ოქროს ურდოს ყაენების სიგელთა სახელწოდება. შეიცავდა ყაენთა განკარგულებებს დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობის, სამხ. საქმიანობის, ოქროს ურდოსა და სხვ. ფეოდალთა იმუნიტეტის უფლებებსა და სხვ. საკითხებზე; XIII—XV სს. ცნობებს ურდოსა და მისი ქვეშევრდომი მიწების პოლიტ. წყობილების, მმართველობის, კერძო და სახელმწ. სამართლისა და სხვ. შესახებ.

ქართ. ისტ. წყაროებში „წყალობის წიგნის" მნიშვნელობით იხმარებოდა ი ე რ ლ ა ყ ი.

იარმათოვი ქამილ იარმათის ძე (2. V. 1903, ქანიბადამი, ფერღანა, — 18. XI. 1978, ტაშკენტი), საბჭ. მსახიობი და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1959), სოციალ. შრომის გმირი (1973), უზბ. საბჭ. კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სკკპ წევრი 1930-იდან. 1931 დაამთავრა კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. მნიშვნელოვანი როლები: უმარი („მეჩეთის თაღებქვეშ", 1923), ბათირი („უკანასკნელი ბეგი", 1930) და სხვ. O-ის რეჟისორული ნამუშევრებია ფილმები: „შორს საზღვარზე" (1931), „ემიგრანტი" (1934), „მეგობრები

ᲒᲚᲐᲕ ᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ“ (1939), „ᲐᲚᲘᲨᲔᲠ ᲜᲐᲕᲝᲘ“ (1948; ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. ᲠᲔᲛᲘᲐ, 1948), „ᲐᲕᲘᲪᲔᲜᲐ “(1956), „ᲥᲐᲠᲘᲮᲐᲚᲘ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ“ (1965; ᲣᲬᲓ. ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. ᲠᲔᲛᲘᲐ ᲞᲐᲛᲬᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, 1967), „ᲝᲠᲗᲐ ᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲔᲛᲐ“ (1965), Ი-ᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲣᲬᲓ. ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲠᲛᲐᲓ ᲔᲠᲝᲕᲜ. ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲐᲮᲔ. ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲪᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲡᲐᲞᲐᲠᲘᲝᲜ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲐᲠᲜᲔᲤᲔᲚᲢᲘ (Järnefelt) ᲔᲠᲝ (1863—1937), ᲤᲘᲜᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲓᲛᲬᲔᲠᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ. ᲒᲐᲛᲝᲩᲐᲢᲐᲕᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲫᲣᲚᲬᲘᲚᲡ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲯᲐᲜᲠᲔᲑᲨᲘ. ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ. ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ: „ᲢᲧᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ“ (1888), „ᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ“ (1893), „ᲜᲐᲮᲘᲠᲘ ᲙᲝᲪᲝᲜᲘᲐᲜ“ (1891), „ᲞᲔᲘᲚᲘᲡᲘᲐᲠᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ“ (1899); Ს. ᲡᲘᲑᲔᲚᲘᲣᲡᲘᲡ (1892), Ი. ᲞᲐᲚᲛᲔᲜᲘᲡ (1892), ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ Ს. ᲞᲐᲡᲘᲙᲘᲕᲘᲡ (1931) ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ. Ი-Ს ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲣᲜ-ᲢᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ (1916—20).

ᲘᲐᲠᲝᲕᲘᲖᲐᲪᲘᲐ, 1. ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔ�გᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲐᲜ ᲕᲔ�გᲔᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲯᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. 2. ᲡᲐᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲒᲝᲛᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲣᲠᲘ ᲗᲔᲡᲕᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲚᲝᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲔᲡᲚᲖᲔ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲗ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲝᲠᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲣᲑᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ.

Ჯ. ᲜᲐᲡᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲐᲠᲝᲨᲘᲢᲘ, ᲡᲣᲚᲤᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲘ; ᲥᲘᲛ. ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ $KFe_3[SO_4]_2(OH)_6$. ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ 1%-ᲛᲓᲔ (ᲖᲝᲒᲯᲔᲠ 4,1%) Na_2O-Ს ᲓᲐ 8—15% Al_2O_3-Ს. ᲙᲠᲘᲡᲢᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲘ�გᲝᲜᲣᲠ ᲡᲘᲜᲒᲝᲜᲘᲐᲨᲘ. ᲐᲥᲕᲡ ᲛᲣᲠᲐ-ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲔᲠᲘ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲬᲕᲠᲘᲚᲙᲠᲘᲡᲢ. ᲛᲐᲡᲘᲡᲐᲜ ᲡᲐᲮᲘᲗ. ᲛᲧᲘᲤᲘᲐ; ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲚᲘᲗ 2,5—3,5; ᲡᲘᲛᲙᲕᲠᲘᲜᲔ 3200 *ᲙᲒ/Მ³*. ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲩᲔᲓᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲕᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ (978—1054), ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ 1019-ᲘᲓᲐᲜ, *ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲕᲘᲐᲢᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲫᲘᲡ* ᲕᲐᲟᲘ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲓᲐ ᲜᲝᲕᲒᲝᲠᲝᲓᲨᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ Ო. ᲑᲐ-ᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲡᲕᲘᲐᲢᲝᲞᲝᲚᲙᲘ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. Ო. ᲑᲐ-ᲛᲐ ᲨᲔᲛᲫᲚᲝ ᲥᲕᲔᲕᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲣᲚᲢ. ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ. ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ, ᲘᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜ. ᲚᲘᲢ-ᲠᲐ. ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲠᲣᲡ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ („ᲠᲣᲡᲣᲚᲙᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲐᲕᲓᲐ“) ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲜᲬᲘᲚᲘ — „ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ“. ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲐᲘᲒᲝ ᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ, „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲘ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. 1051 Ო. ᲑᲐ-ᲛᲐ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲔᲡᲘᲐᲜᲔ *ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ* ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲪᲐᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲬᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ. Ო. ᲑᲐ-ᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲠᲣᲡ. ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲐ.

ᲚᲘᲢ.: Грехов Б. Д., Киевская Русь. [М.], 1953.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ, ᲠᲡᲤᲡᲠ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲓᲒ. ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲒ. ᲜᲐᲮᲐᲠᲘᲗ. ᲜᲐᲕᲒᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲠᲘ, ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ ᲙᲒᲜᲘᲡ. 597 ᲐᲗ. ᲑᲯᲑ. (1979; 1939 Წ. — 309 ᲐᲗ., 1959 Წ. — 407 ᲐᲗ., 1970 Წ. — 517 ᲐᲗ.). ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ, Ო. ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲛᲐ 1010. ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲐ 1071. ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲡ ᲓᲐᲨᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕ-ᲡᲣᲖᲓᲐᲚᲘᲡ, 1463-ᲘᲓᲐᲜ—ᲛᲝᲡᲙ. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲨᲘ. 1719 ᲒᲐᲮᲓᲐ ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲕ., XVIII Ს. ᲑᲝᲚᲝᲓᲓᲐᲜ—ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 1917 Წ. 27 ᲝᲥᲢ. (9 ᲜᲝᲔᲛᲑ.) Ო-ᲨᲘ ᲡᲐᲑᲭ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲚᲢᲘᲔᲑᲘᲡ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲜᲔᲚᲐᲜᲐᲗᲘᲡᲐ., ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ ᲙᲐᲣᲩᲣᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲘᲡᲐ., ᲠᲔᲖᲘᲜᲢᲔᲥ. ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ Ქ-ᲜᲔᲑᲘ; ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲐ, ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲙᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ. Ო-ᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓᲐᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑ-ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨ. Ქ-ᲜᲐ. ᲐᲠᲥᲘᲢ. ᲫᲔᲒᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ: ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲐᲠ-ᲤᲘᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ (ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ 1216), XVII Ს. ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘ: ᲘᲚᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘᲡᲐ (1647—50; ᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲝᲑᲐ 1680—81), ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲐ (1649—54) ᲓᲐ ᲡᲮᲕ.; ᲑᲐᲠᲝᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲪᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠ. ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖ. ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ. XIX—XX ᲡᲡ. ᲔᲙᲚᲔᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ Თ. ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘ (1911, ᲐᲠᲥᲘᲢ. Ნ. ᲡᲞᲘᲠᲘᲜᲘ). ᲡᲐᲑᲭ. ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ Ო-ᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲒ. ᲒᲔᲒᲛᲐ (1936—37; ᲑᲝᲚᲝ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ 1971), ᲒᲐᲜᲐᲨᲔᲜᲘᲐᲜᲓᲐ ᲐᲮ. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠ. Რ-ᲜᲔᲑᲘ, ᲒᲐᲨᲔᲜᲓᲐ ᲞᲐᲠᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲕᲔᲠᲔᲑᲘ. ᲓᲕᲐᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ, (1939, ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ Ვ. ᲙᲝᲬᲚᲝᲕᲘ, ᲐᲠᲥᲘᲢ. Ს. ᲙᲐᲞᲐᲖᲘᲜᲘᲡᲙᲘ) ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ. ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲜ-ᲢᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜ., ᲞᲔᲓ. ᲘᲜᲡᲢ., ᲡᲐᲛᲔᲓ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲛᲝᲡᲙ. ᲡᲐᲡ.-ᲡᲐᲛ. ᲐᲙᲐᲓ. ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ; 12 ᲡᲐᲨ. ᲡᲞᲔᲪ. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ. ᲓᲠᲐᲛ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲪᲘᲠᲙᲘ, ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ, ᲘᲡᲢ.-ᲐᲠᲥᲘᲢ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ, ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐᲠᲘᲣᲛᲘ, ᲢᲔᲚᲔᲪᲔᲜᲢᲠᲘ.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ, ᲨᲔᲓᲘᲡ ᲠᲡᲤᲡᲠ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ 1936 Წ. 11 ᲛᲐᲠᲢᲡ. ᲤᲐᲠᲗ. 36,4 ᲐᲗ. *ᲙᲛ²*. ᲛᲝᲡᲐᲚᲚ. 1425 ᲐᲗ. ᲙᲐᲪᲘ (1979), Მ. Შ. ᲥᲐᲚᲐᲥᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ 78%. ᲪᲔᲜᲢᲠᲘ — Ქ. ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ. ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲛᲓ. ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲗᲝᲨᲘ. ᲝᲚᲥᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲘ ᲑᲝᲠᲪᲕᲘᲐᲜ ᲕᲐᲙᲔᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲩᲠᲓ. ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘᲐ ᲠᲘᲑᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲘ. ᲝᲚᲥᲘᲡ ᲩᲠᲓ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲬᲘᲜᲬᲕᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲗᲐᲨᲝᲡ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲓᲛᲰ ᲢᲐᲛᲔᲠᲤᲝᲠᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ (1905), IV ᲤᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ (1906), V (ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ) ᲤᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ



ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲚᲘ. ᲝᲑᲔᲚᲘᲡᲙᲘ 1918 ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ-ᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲯᲐᲛᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲨᲘ. ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲘ. ᲓᲐᲘᲓᲒᲐ 1956. ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ Ჯ. ᲙᲝᲬᲚᲝᲕᲐ ᲓᲐ Მ. ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲜᲘᲙᲝᲕᲘ.

Ე. ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘ.



ნ. ი ა რ ო შ ე ნ კ ო. „სტუდენტი.“ 1881. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

იასამანი „პრისცილა“

მუშათა რევ. მოძრაობის შესახებ რუსეთში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

ᲘᲐᲠᲝᲨᲔᲕᲘᲩ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე [1 (13). XII. 1846; პოლტავა, — 25. VI (7. VII). 1898, კისლოვოდსკი], რუსი ფერმწერი, ჟანრისტი, პორტრეტისტი, პეიზაჟისტი. მიიღო სამხ. განათლება. 1892 გენერალ-მაიორის ჩინით თადარიგში გავიდა. ხატვას სწავლობდა მხატვართა წამახალისებელი საზ-ბის სკოლაში ი. კრამსკოისთან და სამხატვრო აკადემიაში (1867—74). ძირითადად ცხოვრობდა პეტერბურგსა და კისლოვოდსკში. იმოგზაურა დას. ევრ. ქვეყნებში, ახლო და შუა აღმოსავლეთში, ყირიმში, კავკასიაში, ურალზე, ვოლგაზე. 1876-იდან იყო *პერედვიჟნიკების* ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ნამუშევრები: „უსინათლო ხეიბრები კიევთან“ (1879, კუიბიშევის სამხატვრო მუზეუმი), „ცეცხლფარეში“, „პატიმარი“ (ორივე 1878), „სტუდენტი“ (1881), „ყველგან სიცოცხლეა“ (1888, ყველა ტრეტიაკოვის გალერეა), მხატვარ გეს პორტრეტი (1890), „ბელეხის თავი“ (1890-იანი წლები, ორივე რუს. ხელოვნ. მუზეუმი, ლენინგრადი).

ლიტ.: П р ы т к о в В. А., Н. А. Ярошенко, М., 1960.

ᲘᲐᲠᲣᲚᲘ, 1. ნაგებობაში — ერთმანეთის თავზე ჰორიზონტალურად განლაგებულ რიგთაგან ერთ-ერთი. 2. ნაგებობის (შენობის) ან მოწყობილობის ერთ-ერთი ნაწილი (სექცია), რ-იც არქიტ. დაგეგმარების მიხედვით ან კონსტრუქციულად მეორდება სიმაღლეზე (ერთმანეთის თავზე განლაგებით), მაგ., თეატრ. დარბაზში—კვდლის პერიმეტრიის გაყოლებით სხვადასხვა სიმაღლეზე განლაგებული ღია გალერეები ან ბალკონები მაყურებელთათვის. ნაგებობას, რ-იც შედგება სიმაღლეზე განლაგებული ერთი ტიპის სექციებისაგან, მრავალიარუსიანს უწოდებენ.

ᲘᲐᲠᲪᲔᲕᲝ, ქალაქი რსფსრ სმოლენსკის ოლქში, მდ. ვოპის (დნეპრის შენაკადი) ნაპირას, მოსკოვ—მინსკის გზატკეცილზე. იარცევოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. არის ბამბეულის კომბინატი, სამსხმელო-მექან. ქ-ნა, პიანინოს ფ-კა. საღამოს საფეიერო ტექნიკუმი. ქალაქი გაშენდა 1872—77 ძაფსართავი ფ-კის მშენებლობასთან დაკავშირებით. რევ. მოძრაობის ისტორიაში ცნობილია 1880 დიდი გაფიცვით. 1900 შეიქმნა ს.-დ. წრე. ფაბრიკის მუშები ხშირად აწყობდნენ გაფიცვებს (1905, 1906, 1911, 1913, 1916). 1918 Ი-ში დამყარდა საბჭ. ხელისუფლება. დიდი სამამულო ომის დროს, 1941 ივლ.-სექტ-ში, Ი-ში მიმდინარეობდა მძიმე ბრძოლები.

ᲘᲐᲡᲐᲕᲘ აპმად (დაახლ. 1105, ქ. იასა, — 1166), უზბეკი სუფი პოეტი, შეიხი. დაიბადა შეიხ იბრაჰიმის ოჯახში. ადრე დაობლდა. სწავლობდა ბუხარის მედრესეში. სიცოცხლეშივე წმინდანად შერაცხეს. მასზე მრავალი ლეგენდაა შეთხზული, მაგრამ სარწმუნო ბიოგრ. ცნობები თითქმის არ შემორჩენილა. ავტორია მისტ.-ფილოს. ლექსების კრებულისა „ჰიქმათ“ (გამოიცა 1878), სადაც პოპულ. ფორმითაა გადმოცემული ისლამის ძირითადი წესები და დოგმები. ქადაგებდა ასკეტიზმს, ძალმომრეობისა და სიღარიბის ატანასა და მოთმინებას. ზოგჯერ კიცხავდა დესპოტიზმს, თითქოს ჩაგრულთაც ეშინოდა, მაგრამ ეს უფრო ლიტ. ხარკი იყო ტრადიციის მიმართ. ჩაღათაურ ენაზე შეთხზულ ამ კრებულში შეინიშნება ოღუზური კილოკავების ელემენტებიც. Ი-ს შემოქმედება დიდად პოპულარული იყო შუა აზიაში.

ლიტ.: М а л а е в Н. М., Ўзбек адабиёти тарихи, кит. 1, Тошкент, 1965; К о р о г л ы Х., Узбекская литература, 2 изд., М., 1976.

ᲘᲐᲡᲐᲛᲐᲜᲘ (Syringa), მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი პატარა ხე ან ბუჩქია. ცნობილია 30-მდე სახეობა. გავრცელებულია აღმ. და ცენტრ. აზიაში, აღმ. ევროპაში. კულტურაში მნიშვნელოვანია ჩვეულებრივი, სპარსული, უნგრული და ჩინური Ი. ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი Ი. 5—7 *მ* სიმაღლის ბუჩქი ან ხეა. მისი სამშობლოა ბალკ. ნ.-კ. და მცირე აზია. მუქი მწვანე წვეტიანი ფოთოლი აქვს. ფუძე გულისებრი, სურნელოვანი, თეთრი, ლილისფერი ან იისფერი ყვავილი მარტივია ან ბუთხუზა. იზრდება ნათელ ადგილებში, ყვავილობს ადრე გაზაფხულზე, ყინვა- და გვალვაგამძლეა. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად. ს პ ა რ ს უ ლ ი Ი. 2 *მ* სიმაღლის ბუჩქია. აქვს ლანცეტისებრი ფოთოლი. გვალვაგამძლეა, ცუდად იტანს ზამთარს. მრავლდება უმთავრესად ვეგეტატიურად. უ ნ გ რ უ ლ ი Ი. სიმაღლით 3—4 *მ*-იანი ბუჩქია. აქვს ელიფსური ფოთოლი, წვრილი ყვავილი ლილისფერია ან იისფერი. მრავლდება თესლითა და კალმით. გვალვაგამძლეა, კარგად იტანს ზამთრის პირობებსაც. ჩ ი ნ უ რ ი Ი. ჩვეულებრივი და სპარსული Ი-ის ჰიბრიდია. მრავლდება ვეგეტატიურად. Ი. კულტივირებულია დეკორ. მცენარედ.

პარფიუმერიაში იყენებენ Ი-ის ყვავილის ექსტრაქტს, სალურგლო საქმეში — მერქანს. *ნ. ანთაძე.*

ᲘᲐᲡᲐᲣᲚᲘ (თურქ. — ბრძანების აღმსრულებელი), 1. მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. მიეკუთვნებოდა ე. წ. ხელჯოხიანთა (იხ. *არგნოსანი*) ჯგუფს. შეცვალა გაერთ. საქართვ. დროინდელი *მანდატური* და არგნოსანი. საკუთრივ საღმსრულებლო საქმის გარდა Ი-ს გამოკვლევა-გამოძიების დავალებაც ეძლეოდა. მასვე განაწესებდნენ გამოსაღებთა ამკრეფ-გადამხდევინებლად და სამეფო სამეურნეო თუ სხვა სამუშაოთა ზედამდეგადაც. *დასტურლამალით* ცნობილია სამეფო Ი-ების 2 დასი — ეშიკაღასებაშისა (23 კაცი) და ქარხნის ანუ საწყობის *ნაზირის* სახელოსი (17 კაცი); Ი-ები სხვა სახელოებშიაც (სალაროში, დავთარხანაში) იყვნენ; არსებობდა სადედოფლო Ი-ების დასიც (17 Ი.). Ი-ების გასამრჯელო, ზოგჯერ მათი დღიური ხარჯიც, მძიმე ტვირთად აწვებოდა ჩაგრულ ხალხს. თვითონ Ი-ების გარდა იასაულობა, დაინტერესებული პირის თხოვნითვე, ზოგჯერ სხვა, უფრო გავლენიან მოხელესა თუ დიდ ფეოდალსაც ეკისრებოდა. 2. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ — საქალაქო პოლიციის მოხელე. გორში, დუშეთში, თელავსა და სიღნაღში განწესებული იყო თითო-თითო Ი., ხოლო თბილისში — ოთხი. შეესატყვისებოდა უბნის პოლიციის უფროსს რუს. ქ-ებში. 3. XVI ს-იდან თანამდებობრივი წოდება ყაზახთა ჯარში, თავდაპირველად არჩევითი. შემდეგ (XVIII ს.) გაუთანაბრდა რუს. არმიის ობეროფიცრის ხარისხს, ბოლოს — როტმისტრობას, ასეულის მეთაურობას ცხენოსან ჯარში. *დ. ფურცელაძე.*

ᲘᲐᲡᲚᲘ, ი ა ს ა კ ი (თურქ.), ხარკი, რ-საც იხდიდნენ ვოლგისპირეთისა და ციმბირის ხალხები რუსეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ (თავდაპირველად ბეწვეულით).

ᲘᲐᲡᲔᲜᲝᲕᲘ ხრისტო (ნამდვ. სახელი და გვარი ხრისტო პავლოვ ტ უ ჯ ა რ ო ვ ი) (24. XII. 1889, ეტროპოლე, — IV. 1925), ბულგარელი პოეტი. ბულგ. კომპარტიის წევრი 1919-იდან. თავდაპირველად განიცდიდა სიმბოლიზმის გავლენას (ლექსთა კრებ. „სარაინდო სასახლე“, 1921, მოიცავს 1908—12 ლექსებს). ოქტ. რევ. შემდეგ რეალისტურ პოზიციებზე დადგა, ჩაება ბულგ. რევ. მოძრაობაში („გრანიტის ზღურბლს მიღმა“, „მუქარა“, 1919; „პეტროგრადი“, 1920; და სხვ.). Ი. იუმორისტული ლექსებისა და ფელეტონების ავტორია. 1923 სექტ. აჯანყების შემდეგ რეპრესირებული იყო. 1925 ფაშისტებმა მოკლეს.

ლიტ.: კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა მ., ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953.

ᲘᲐᲡᲘ, ი ა შ ი (Iaşi), ქალაქი აღმ. რუმინეთში, მდ. ბაჰლუის ნაპირზე. იასის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 264,9 ათ. მცხ (1977). პირველად იხსენიება (1408) ვოსლეკრესენსკის მატიანეში როგორც გალიჩ-ვოლინის სამთავროს ერთ-ერთი ეკონ. ცენტრი. XIV ს-იდან შეიდა მოლდოვის შემადგენლობაში. XVI ს-იდან მოლდოვისა და ვლახეთის რუმინეთის სახელმწიფოდ გაერთიანებამდე (XIX ს. შუა წლები) მოლდოვის დედაქალაქი იყო. 1791 ა. ხელი მოაწერეს სახავო ხელშეკრულებას (იხ. *იასის სახავო ხელშეკრულება 1791*) რ-მაც დაასრულა რუს.-ოსმ. 1787—91 ომი. Ი. რუმინ. ერთ-ერთი მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი და მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია. განვითარებულია ქიმ., მანქანათსაშ., საფეიერო, კვების, მეტალ. ხის დასამუშ. მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. აირსადენით უკავშირდება ტრანსილვანიას. რუმინ. აკად. ფილიალი, უნ-ტი, ინ-ტები, კონსერვატორია, ნატიფი ხელოვნ. სკოლა. სამხატვრო მუზეუმი, თეატრები.

Ი-ში ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა *ბესიკმა* და იქვე გარდაიცვალა.

ᲘᲐᲡᲘ, ი ა შ ი (Iaşi), ჟუდეცი აღმ. რუმინეთში. ფართ. 5,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 729,2 ათ. კაცი (1977). ადმ. ც. — ქ. იასი. მდებარეობს მოლდოვის მაღლობების აღმ. ნაწილში. ჟუდეცის ტერიტორიის დაახლ. 1/7 უჭირავს ტყეს. განვითარებულია ქიმ., მანქანათსაშ., საფეიერო, სამკერვალო, კვების, ხის დასაძუშ., მეტალ. მრეწველობა. ჟუდეცის ტერიტ. 1/2-ზე მეტი უჭირავს სახნავ მიწებს. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ზეთოვანი სელი. ბორცეულებზე ვენახებია. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ღორსა და ცხვარს.

ᲘᲐᲡᲘ-ᲚᲘᲖᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ 1944, უკრაინის II (არმ. გენ. რ. მალინოვსკი) და III (არმიის გენ. თ. ტოლბუხინი) ფრონტების ჯარების, შავი ზღვის ფლოტისა (ადმ. თ. ოქტიაბრსკი) და დუნაის სამხ. ფლოტილიის (კონტრ-ადმ. ს. გორშკოვი) თანამოქმედებით სტრატეგიული შეტევითი ოპერაცია (20—29 აგვ.) დიდ სამამულო ომში (1941—45). რუმ. ცენტრ. რ-ნების გზებს გერმ.-ფაშისტების არმიათა ჯგუფი „სამხრეთ უკრაინა“ (50 დივიზია, მ. შ. 25 გერმ.) იცავდა. საბჭ. ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა, 25 აგვ-თვის დაასრულეს იასი-კიშინიოვის დაჯგუფების მთავარი ძალების (დაახლ. 22 დივიზია) ალყაში მოქცევა და 29 აგვ-თვის გაანადგურეს კიშინიოვის რ-ნში გარემოცული დაჯგუფება. Ი.-ᲙᲐ. ᲘᲘ-ის შედეგად გათავისუფლდა მოლდ. სსრ; რუმინეთმა და ბულგარეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, შესაძლებელი გახდა უშუალო დახმარების გაწევა იუგოსლავიისათვის და საომარი მოქმედების გაშლა უნგრეთში.

ᲘᲐᲡᲘᲜᲝᲕᲐᲢᲐᲚᲘ, ქალაქი უკრ. სსრ დონეცკის ოლქში. დიდი სარკინიგზო კვანძი. რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები, მანქანათსაშ. ქ-ნა, საშენ მასალათა წარმოება. სატრანსპ. მშენებლობის ტექნიკუმი. მუზეუმი.

ᲘᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ 1791, რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება, რ-იც ხელმოწერილია ქ. იასიში 1791 წ. 29 დეკ. (1792 წ. 9 იანვ.) *რუსეთ-ოსმალეთის 1789—91 ომის* დამთავრების შემდეგ. 1791 ზაფხულში დიდი წინასწარი შეთანხმება გ. *პოტიომკინსა* და ოსმ. დიდ ვეზირს იუსუფ-ფაშას შორის. 20 სექტ. ოსმ. წარმომადგენლები ჩავიდნენ ქ. იასიში, სადაც რუსეთის ჯარე-

ის მთავარბანაკი იყო. გ. პოტიომკინმა, ჩ-საც რუს. მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა საზავო მოლაპარაკების საერთო ხელმძღვანელობა, გამოყო ელჩები (სამოილოვი, დე რიბასი და *ლაშქაროვი*) და 1 ოქტ. გასცა განკარგულება მოლაპარაკების 6 ოქტ. დაწყების შესახებ. მაგრამ 5 ოქტ. პოტიომკინი გარდაიცვალა და მოლაპარაკება გადაიდო. 14 ოქტ. რუს. მთავრობამ საზავო მოლაპარაკების საერთო ხელმძღვანელობა დაავალა ა. ბეზბოროდკოს, 30 ოქტ. მოლაპარაკება დაიწყო.

ი. ს. ხ. ამტკიცებდა ჭუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების (1774) პირობებს; ოსმალეთი ცნობდა ყირიმის რუსეთთან შეერთებას, რ-იც 1783 გამოცხადდა; აწესებდა ახ. საზღვრებს რუსეთსა და ოსმალეთს შორის (სამხრ.-დას-ით მდ. დნესტრზე, კავკასიაში მდ. ყუბანზე); რუს. ხელში გადადიოდა შავი ზღვის ჩრდ. სანაპირო მდ. ბუგსა და დნესტრს შორის. სამაგიეროდ რუსეთი უბრუნებდა ოსმალეთს მოლდავეთისა და ვალახეთის სამთავროებს, რ-ებიც ომის დროს რუს. ჯარებმა დაიკავეს. ი. ს. ხ-ით განმტკიცდა რუს. პოზიციები შავ ზღვაზე. მან უზრუნველყო ვაჭრობის თავისუფლება და სამხრ. საზღვრის უშიშროება.

ი. ს. ხ-ის მე-5 მუხლი ეხებოდა რუს. მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოს: ოსმ. მთავრობა პირობას დებდა, რომ საგანგებო ფირმანით მკაცრად აუკრძალავდა ახალციხის ფაშას და მენაპირე მმართველებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმას, რომ „არც აშკარად და არც ფარულად არ შეეეიწროებინათ ქართლის მეფის ქვეყანა და მცხოვრებნი".

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968; П е т р о в А. Н., Вторая турецкая война в царствование имп. Екатерины II. 1787—1791, т. 2, СПб., 1880. *ვ. მაჭარაძე.*

იასნოგორსკი (1965-მდე ლ ა ფ ტ ე ვ ო), ქალაქი რსფსრ ტულის ოლქში. რკინიგზის სადგური. მანქანათსაშ. ქ-ნა. საღამოს სამთომანქანათმშ. ტექნიკუმი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

იასნოვი მიხეილ ალექსის ძე [დ. 23. V (5. VI). 1906, სოფ. გორი, ახლანდ. მოსკ. ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტ. მოღვაწე. სკკპ წევრი 1925-იდან. 1925 დაამთავრა მოსკ. უნ-ტთან არსებული მუშფაკი. 1930—38 ხელმძღვანელ სამუშაოზეა მოსკ. სამშენებლო ორგანიზაციებში. 1938—49 მოსკ. ქალაქის აღმასკომის თავ-რის მოადგილე, 1950—56 — თავ-რე. 1949—50 სსრკ საქალაქო მშენებლობის მინისტრის მოადგილე. 1956—57— რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რე, 1957 — 66 — რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილე. 1966 დეკ-იდან— რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე (1967-იდან), სოციალ. შრომის გმირი (1976), სკკპ ცკ-ის წევრი (1952—66), სკკპ ცკ-ის ბიუროს წევრი რსფსრ საკითხებში (1956 — 66), პარტიის XIX —XXV ყრილობების დელეგატი. სსრკ III—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 7 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

იასონ არაგვის ერისთავი (გ. 1688), გიორგი არაგვის ერისთავის ძე. 1660 ვახტანგ V-მ დედოფლის სახლთუხუცესობა უბოძა. 1688 ახლო ხანში შაჰის დახმარებით არაგვის საერისთავოს მეთაური გახდა. მალე ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის მეფე გიორგი XI-მ თავის ერთგულ თავადებს მოაკვლევინა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955. *ვ. აკოფაშვილი.*

იასონი, ი ა ზ ო ნ ი, (Iasōn) არგონავტების მითის ერთ-ერთი გმირი (იხ. *არგონავტების ლაშქრობა*).

იასპერსი (Jaspers) კარლ (23. II. 1883 — 26. II. 1969), გერმანელი ფილოსოფოსი, *ეგზისტენციალიზმის* ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. 1921-იდან ფილოს. კათედრის პროფესორი ჰაიდელბერგის უნ-ტში. 1937 ნაცისტურმა მთავრობამ ი-ს აუკრძალა პედ. მოღვაწეობა. 1945 დაუბრუნდა ჰაიდელბერგის უნ-ტს, ხოლო 1948-იდან მოღვაწეობდა ბაზელის უნ-ტში. დაინტერესებული იყო ყოფიერების პრობლემით, განსაკუთრებით კი ადამიანის არსებობისა და არსების საკითხით. ი. განიხილავდა ყოფიერების 3 სახეს და ამის შესაბამისად ფილოსოფიასაც 3 ნაწილად ყოფდა. ყოფიერების პირველ სახეს, ი-ის თანახმად, წარმოადგენს „სამყარო". ობიექტთა სფეროს იკვლევენ სპეც. მეცნიერებანი, რ-თა მიერ მოპოვებული ცოდნა მოვლენებს სწვდება და არა თავისთავად საგნებს. ფილოს. ის ნაწილი, რ-საც ი. „სამყაროში ფილოსოფიურ ორიენტირებას" უწოდებს, აჩვენებს ობიექტთა სფეროს საზღვრებს და მზერას მიმართავს ყოფიერების მეორე სახისაკენ — ეგზისტენციისაკენ.

ეგზისტენცია არის ადამიანის მოქმედებისა და აზროვნების თავისუფლების საფუძველი, საწყისი. ამიტომ მისი მოპოვება და დაკარგვა თავისუფლების მოპოვებასა და დაკარგვას ნიშნავს. ეგზისტენცია ვლინდება გადაწყვეტის თავისუფლად მიღების აქტში, „თვითყოფიერებაში", სხვა ადამიანებთან ეგზისტენციურ კომუნიკაციაში, „საზღვრითი სიტუაციების" — ტანჯვა, ბრძოლა, სიკვდილი, შემთხვევა, დანაშაული — განცდაში. ეგზისტენცია, ი-ის თანახმად, არ შეიძლება იყოს შემეცნების ობიექტი. მასზე „ფილოსოფოსობა" არის არა საგნობრივი ცოდნა, არამედ „ეგზისტენციის განათება".

ფილოსოფიის მესამე ნაწილი — „მეტაფიზიკა" — ეხება „ტრანსცენდენტურს" — ღმერთს, „აბსოლუტურ მომცველს", რ-იც ეგზისტენციის საგნობრივი გამოხატვაა.

ი-ის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია *ირაციონალიზმი* და *სუბიექტივიზმი*.

ლიტ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970; Г а й д е н к о П. П., Экзистенциализм и проблема культуры, М., 1963. *თ. ბუაჩიძე.*

იატა ალი (დ. 25. VIII. 1920, ტანჯერი), მაროკოს მუშათა და კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე. არაბული ენის მასწავლებელი, ჟურნალისტი. მაროკოს კომუნისტური პარტიის (მკპ) ერთ-ერთი დამაარსებელი (1943). 1946—68 მკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, 1946—66 მკპ ცკ-ის პირველი მდივანი, 1966—68 — გენ. მდივანი. 1968 — 74 იყო განთავისუფლებისა და სოციალიზმის პარტიის (გსპ) გენ. მდივანი. 1974 აგვ-დან არის პროგრესისა და სოციალიზმის პარტიის (პსპ) გენ. მდივანი. მეთაურობდა მკპ დელეგაციებს სკკპ XX, XXI, XXII, XXIII ყრილობებზე, პსპ დელეგაციას — სკკპ XXV ყრილობაზე. ი. მაროკოს ეროვნ.-განმათ. მოძრაობის საკითხებზე დაწერილი მრავალი სტატიის ავტორია.

იატაგანი (*თურქ.* ი ა თ ა ღ ა ნ ი), პირმოლუნული და ყუაამოზნექილი მახვილი (გარდამავალი ხმალსა და სატევარს შორის). გავრცელებულია მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ხალხებში.

იატროგენია (ბერძნ. iatros — ექიმი და gennaō — ვბადებ), ი ა ტ რ ო გ ე ნ უ ლ ი დ ა ა ვ ა დ ე ბ ა, ექიმის უარყოფითი ზეგავლენით გამოწვეული ფსიქოგენური დაავადება (ნევროზი); ვითარდება ავადმყოფთან ექიმის ზოგიერთი გაუფრთხილებელი გამონათქვამის შედეგად. ზოგჯერ ი-ის გაჩენას ხელს უწყობს ცუდად დაწერილი სანიტ.-საგანმანათლებლო ლიტერის კითხვა, სადაც ზედმიწევნით დაწერილებითაა აღწერილი სხვადასხვა დაავადების კლინიკური სურათი, გართულებანი და მოყვანილია მაგალითები. ი-ისადმი მიდრეკილება აქვთ ჰიპოქონდრიულ, ისტერიულ და ეჭვიან ადამიანებს, რ-ებიც განსაკუთრებით უფრთხილდებიან თავის ჯანმრთელობას, შიშით შეპყრობილი ავადმყოფი მთელ ყურადღებას ამახვილებს თავის შეგრძნებებზე, ეძებს ამა თუ იმ დაავადების დამამტკიცებელ ახალ-ახალ სიმპტომებს. ი-ის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სამედ. პერსონალის პროფ. ეთიკისა და კულტურის ამაღლება, საჭიროა ექიმმა ავადმყოფს დიდი მოთმინებითა და ტაქტით აუხსნას მისი ეჭვების უსაფუძვლობა. იხ. *აგრეთვე დეონტოლოგია, ფსიქოთერაპია.*

იატროფიზიკა (ბერძნ. iatros—ექიმი და *ფიზიკა*), მიმართულება მედიცინაში, რ-იც ჩამოყალიბდა XVII ს-ში მექან. განვითარებასთან დაკავშირებით. ი. ცდილობდა ორგანიზმში მიმდინარე პროცესები აეხსნა მექან. კანონებით. მის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონიეს ჰატალ. მეცნიერებმა ს. სანტორიომ, ჯ. ბორელიმ და სხვ. XVII ს. ბოლოს უკვე გამოვლინდა ი-ის ცალმხრივობა და უსაფუძვლობა.

იატროქიმია (ბერძნ. iatros — ექიმი და *ქიმია*), მიმართულება XV—XVI სს. მეცნიერებაში, რ-იც ცდილობდა ქიმია ჩაეყენებინა მედიცინის სამსახურში. მისი ფუძემდებელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფ. პარაცელსუსი, რ-საც ყველა სასიცოცხლო მოვლენა დაჰყავდა ქიმ. პროცესებამდე. ი-ის პერიოდში აღმოაჩინეს და სამედ. პრაქტიკაში გამოიყენეს მრავალი ახ. ქიმ. ნაერთი.

იაუნდე (Yaunde, Yaoundé), კამერუნის დედაქალაქი. გაშენებულია ზეგანზე, 750 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ეკვატორულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 22,8°C, ივლისისა 20,7° C. ნალექები 1600 *მმ* წელიწადში. 178 ათ. მცხ. (1976). რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურ დუალას. საავტ. გზების კვანძი. დიდი აეროპორტი. კაკაოს პირველადი გადამუშავება. ხე-ტყის ხერხვა. საშენ მასალათა წარმოება. ვამერუნის, ცენტრ. აფრ. რესპ. და ჩადის რესპ. მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზ. ცენტრი. უნ-ტი. ი-ს რ-ნში არის ყავისა და კაკაოს პლანტაციები.

იაფა, *თელ-ავივის* ნაწილი (1949-იდან). პირველად მოიხსენიება ელ-ამარნის არქივში. ძვ. წ. XVI ს-ში ქალაქი დაიპყრეს ეგვიპტელებმა, ძვ. წ. VIII ს-ში — ასირიელებმა, ძვ. წ. IV ს-ში — ალექსანდრე მაკედონელმა. ახ. წ. 68 დაანგრიეს რომაელთა ჯარებმა. VII ს-ში შედიოდა ომაიანთა, VIII ს-ში აბასიანთა სახალიფოს შემადგენლობაში, X ს-ში განაგებდნენ ფატიმიდები. XVI ს-იდან 1917-მდე შედიოდა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. 1917 მიიტაცეს ინგლ. ჯარებმა. 1920-იდან იყო ინგლისის სამანდატო ტერიტორიის—პალესტინის შემადგენლობაში. არაბეთ-ისრაელის 1948—49 ომის შემდეგ ისრაელის სახელმწ. მთავრობამ ი. თელ-ავივს შეუერთა.

იაფეტი, ძველი აღთქმის მიხედვით, ნოეს ერთ-ერთი ძე, რ-იც მამასთან და ძმებთან ერთად გადაურჩა წარღვნას. ი. და მისი ძმები — სემი და ქამი—იყვნენ მსოფლიოს ხალხთა მამამთავრები. გენეალოგიური ტაბულა ძველ აღთქმაში (დაბ. თ. 10), რომელიც ბაბილონის ტყვეობის შემდგომი დროისაა, ასახავს არა მარტო ძვ. ებრაელთა გეოგრ. ცოდნას, არამედ მათ პოლიტ., ნაციონალურ თვალსაზრისსაც: ებრაელებს თავი მიაჩნდათ სემის ჩამომავლებად, მათთვის საძულველი ქანაანელები და ეგვიპტელები კი — ქამის ნაშიერებად. ი-ის ტეთა სახელები (გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშეხი) აღნიშნავს ხალხებს, რ-ებიც დამკვიდრებული იყვნენ პალესტინის ჩრდ-ით. ზოგჯერ შესაძლებელია ამ სახელების იდენტიფიკაცია ისტ. წყაროებში დადასტურებულ ტომთა სახე-

მ. იასნოვი.

კ. იასპერსი.



იატაგანი.

ქ. იაშენი.

მ. იაშვილი.

პ. ჯ. იაშვილი.

ლებთან. ამ ტომთა ერთი ნაწილი ინდოევრ. ენებზე ლაპარაკობდა. თვით სახელი O-ც არ არის სემიტური, იგი დაკავშირებული უნდა იყოს ბერძნ. მითოლოგიაში ცნობილი ტიტანის — პრომეთეს მამის, იაპეტის, სახელთან. ძვ. ქართ. ისტ. წყაროებში ქართველთა წინაპრად მიჩნეულია O-ის შვილის — თარშის ძე თარგამოსი, რ-ის მეორე შვილი იყო ქართლოსი (ლეონტი მროველის მიხედვით). O-ის სახელი გამოიყენა ნ. მარმა ე. წ. *იაფეტური ენების* აღსანიშნავად. *მ. შანიძე.*

იაფეტი, პლანეტა *სატურნის* თანამგზავრი, ხილული *ვარსკვლავიერი სიდიდე* საშ. ოპოზიციაში 10,7, პლანეტიდან საშ. დაშორება 3563 ათ. *კმ,* გარემოქცევის სიდერული პერიოდი 79,33084 *დღ-ღ,* დიამეტრი 1800 *კმ.* აღმოაჩინა *ჯ. კასინიმ* 1671.

იაფეტური ენები, ასე უწოდებდა ნ. მარი ქართულის მონათესავე ენებს. ტერმ. „O. ე." ნაწარმოებია ბიბლ. ნოეს უმცროსი ვაჟის — იაფეტის სახელიდან (შდრ. უფროსი ვაჟების სემისა და ქამის სახელებიდან: — სემიტური ენები, ქამიტური ენები). ამ ტერმინის შემოღებით ნ. მარს სურდა ხაზი გაესვა თავისი თვალსაზრისისათვის სემიტურ ენებთან O. ე-ის ნათესაობის შესახებ. ნ. მარის თეორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე O. ე-ის მოცულობა სხვადასხვაგვარი იყო: ჯერ ამ ჯგუფში შედიოდა მხოლოდ ქართველური ენები (1908—16), შემდეგ — აფხ.-ადიღ., ჩაჩნური (ნახური) და დაღ. ენებიც (1916—20), ბოლოს მათ მიემატა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარი ენები (პელასგური, ეტრუსკული) და ცოცხალთაგან — ბასკური და ბურიშკული (1920—23). თუ თავდაპირველად O. ე. ნ. მარს მონათესავე ენებად მიაჩნდა, შემდეგ მან უარყო ენათა ნათესაობა და O. ე-ც ენათა განვითარების ერთ-ერთ უძველეს საფეხურად გამოაცხადა. ნ. მარის ამ შეხედულებების უსაფუძვლობა გამოავლინა 1950 საენათმეცნიერო დისკუსიამ (იხ. *„ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება", იაფეტური თეორია*).

იაფეტური თეორია, ნ. *მარის* მიერ შემოღებული ტერმინი, რ-იც ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა; 1. *იაფეტურ ენათა* კვლევა-ძიება, მოძღვრება იაფეტური ენების შესახებ. ამ მნიშვნელობით O. თ. შეეფარდებოდა ინდოევროპეისტიკას, სემიტოლოგიას... 2. ნ. მარის მიერ შექმნილი ზოგადენათმეცნ. თეორია, რ-იც თითქოს იაფეტურ ენათა მასალას ემყარებოდა. ამ გაგებით O. თ-ის სინონიმად იხმარებოდა *„ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება"*, რ-იც უპირისპირდებოდა მთელ ადრინდელ ენათმეცნიერებას.

იაფის ფორთოხალი, ფორთოხლის ჯიში. მისი სამშობლოა ეგვიპტე. 4 *მ*-მდე სიმაღლის ბუჩქისებრი ხეა. აქვს ოვალური, ფრთიანი, ფართო, სქელი და მბზინვარე ფოთოლი. ნაყოფი მუქი ნარინჯისფერია, საშუალოზე დიდი, მოგრძო ან კვერცხისებრი, წვერი მომრგვალებული ან ჩაზნექილი აქვს, მოფენილია როგორც ღრმად ჩამჯდარი (დიდი), ისე ზედაპირული (პატარა) ეთერზეთოვანი ჯირკვლებით. რბილობი შედგება 10—12 არათანაბარი სეგმენტისაგან. წვენი სასიამოვნო მოწყავო-მოტკბოა. მცენარე ნაკლებად იტანს ყინვას. აჭარასა და აფხაზეთში გვხვდება ცალკეული სახით. *ნ. გეორგაძე.*

იალლუჯის ქედი, სერი ქვემო ქართლში, მდ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, სოღანლუღის ვაკესა და მდ. ალგეთის ქვემო დინების ხეობას შორის. სიგრძე 17 *კმ,* სიგანე 11 *კმ.* აბსოლ. სიმაღლე 788 *მ.* აგებულია სინკლინურად გალუნული ნეოგენური მოლასური კონგლომერატებისა და ქვიშაქვების შრეებით. მოკლებულია მუდმივ მდინარეულ ჩამონადენს. შემოსილია ურო-იანი და ურო-იან-წივანიან-ვაციწვერიანი სტეპის ბალახეულობით, აგრეთვე ქსეროფიტული ბუჩქნარით. O. ძ-ის აღმ. ნაწილს ჰკვეთს თბილისი—ყაზახის გზატკეცილი. *ლ. მარუაშვილი.*

იალნოგური ენა, განეკუთვნება ახალი ირანული ენების ჩრდილო-აღმოსავლურ ქვეჯგუფს. O. ე. *სოღდური* ენის უშუალო გაგრძელებაა. გავრცელებულია ტაჯ. სსრ-ში, იალნობის ზეგანზე. O. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 2 ათ. კაცი (1970). O. ე-ის ბგერით სისტემაში გარჩეულია გრძელი და მოკლე ხმოვნები, დიფთონგები. გამოირჩევა თანხმოვანთა სიუხვით. O. ე-ის ფონეტიკას დაუკავშ. არქ. ვითარება: თავკიდურ პოზიციაში წარმოდგენილია y და v: yau „ქერი", veīt „ქარი" (შდრ. ახ. სპარს. jav, lad); ხმოვანთა შორის შენარჩუნებულია ძგ. d: pada „ფეხი" (ახ. სპარს. — pai), დაცულია ძგ. s—das „ათი" (ახ. სპარს. dah). სახელებს აქვს ბრუნვისა (ორი ბრუნვა) და რიცხვის (მხ., მრ.) კატეგორიები. ზმნის სისტემას შემოუნახავს დროის წარმოების არქ. სახე: აწმყოსა და ნამყოს ფორმები მიიღება ერთი ფუძიდან: vīn-, vīt „ხედვა". გამოიყოფა ორი ძირითადი დიალექტი: აღმოსავლური და დასავლური. O. ე. უმწერლობო ენაა.

ლიტ.: Боголюбов М. Н., Ягнобский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 1, М., 1966 (ბიბლიოგრ.); Geiger W., Pāmir-Dialekte. Anhang. Ueber das Yaghnōbī, წგნ.: Grundriß der iranischen Philologie, Bd. 1, Abt. 2, Straßburg, 1901.

იაყუბლო, სოფელი დმანისის რ-ნში (დმანისის სადაბო საბჭო), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1360 *მ,* დმანისიდან 3 *კმ,* კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ.* დმანისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში, XV ს. 80-იან წლებში აყ-ყოიუნლუს თურქმანებმა „საღვთო ომის" საბაბით ორგზის ილაშქრეს საქართველოში. 1482 ოქტ-ში იაყუბ ფადიშაჰი სამცხეში შეიჭრა, ალყა შემოარტყა ახალციხეს, ბრძოლით დაიკავა ქალაქი და დიდი ალაფი წაიღო; მერე თურქმანები აწყურს მიადგნენ. ციხის დამცველები და მაწყვერელი დამორჩილდნენ იაყუბს და აწყურის ციხე ჩააბარეს. ყვარყვარე ათაბაგმა თურქმანებს ხარაჯის მიცემა აღუთქვეს. 1487 იაყუბმა თავისი სარდალი ხალილ-ბეგი გაგზავნა საქართველოში. იგი აქ მთელი წელიწადი აშენებდა ციხეებს და ქართველთა რაზმებს ებრძოდა. 1488 ზამთარში თურქმანთა ლაშქარი დედაქალაქისაკენ დაიძრა. ზარბაზნებით აღჭურვილმა მტერმა ჯერ კოჯრის ციხე აიღო, შემდეგ თბილისს მიადგა, მაგრამ მისი დამორჩილება გაუჭირდა. მეფე კონსტანტინე II-მ თურქმანებს ზავი შესთავაზა. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და კონსტანტინე იძულებული გახდა დედაქალაქს გასცლოდა. 1489 თებ-ში თურქმანებმა დაიკავეს თბილისი და იქ თავიანთი რაზმი ჩააყენეს.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: კიკნაძე რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1964, ტ. 7; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 4, თბ., 1967. *რ. კიკნაძე.*

იაშვილი ქამილ (ნამდვ. გვარი ნუგმანოვი) [დ. 12 (25). XII. 1909. ანდიჯანი], უზბეკი საბჭ. დრამატურგი. უზბ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1939), უზბ. სსრ სახ. მწერალი (1969); სოციალ. შრომის გმირი (1974), უზბ. სსრ მეცნ. აკად. ნ. წ. (1969). სკკპ წევრი 1943-იდან. უზბ. სსრ კპ ცკ-ის წევრი (1960-იდან). ლექსების პირველი კრებ. „მზე" გამოაქვეყნა 1930. ავტორია მუს. დრამისა „გულსარა" (მ. მუხამედოვთან ერთად, 1934; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), დრამებისა „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი" (1958, უზბ. სსრ ჰამზას სახ. სახელმწ. პრემია), „რევოლუციის განთიადი" (1972) და სხვ. სსრკ VII—IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

იაშვილი ვლადიმერ ელიაზარი ძე (10. X. 1904, ოზურგეთი, ახლანდ. ქ. მახარაძე, — 9. III. 1971, თბილისი), ქართველი საბჭ. ფსიქიატრი, მედ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1956), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1968). სკკპ წევრი 1939-იდან. 1930 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1937-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა მ. *ასათიანის* სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათოფიზიოლ. განყ-ბას. დიდი სამამულო ომის დროს ფრონტის ერთ-ერთი ჰოსპიტლის სამკურნ. ნაწილის უფროსი იყო. O. სწავლობდა ფსიქიკურ დაავადებათა კლინიკას, ფსიქოზთა პათოფიზიოლ. საფუძვლებს, ი. თარხნიშვილის ფსიქოგალვანურ რეფლექსსა და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

იაშვილი ვლადიმერ (ლადო) იოსების ძე [23. VII (4. VIII). 1872, სოფ. არგვეთი, შორაპნის მაზრა, — 28. VI (11. VII). 1912, სოფ. უსტუდა, ირკუტსკის გუბ.], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. რსდმპ წევრი 1898-იდან. რევ. გამოსვლებში მონაწილეობისათვის გარიცხეს გორის სამასწავლებლო სემინარიიდან. 90-იანი წლებიდან ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას. 1892-იდან თბილ. რკინიგზის დეპოს კანტორის მობელე იყო. აქტ. მონაწილეობა მიიღო 1901 თბილ. საპირველმასისო დემონსტრაციაში. 1903—08 რევ. მოღვაწეობას ეწეოდა არგვეთში, საჩხერესა და კისლოვოდსკში. 1905—07 რევ. პერიოდში საჩხერეში აწყობდა გლეხთა მიტინგებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერას, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი წითელი რაზმისა, რ-მაც განაიარაღა საჩხერის პოლიციის საგუშაგო. რევ. მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე დააპატიმრეს, 1909 ირკუტსკის გუბ. სოფ. უსტუდაში გადაასახლეს, სადაც ჭლექით დაავადდა და გარდაიცვალა.

ლიტ.: რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), თბ., 1961. *შ. გეგეშიძე.*

იაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე (15. VII. 1764 — 20. VII. 1815, სოფ. მურომცევო, დაკრძალულია სოფ. კოზელში, კალუგის გუბერნია), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. ლ. *იაშვილის* უფროსი ძმა. მსახურობდა ცხენოსან ათასეულში. მონაწილეობდა იმპ. პავლე I-ის მკვლელობაში. იმპ. ალექსანდრე I-ის განკარგულებით გადაასახლეს თავის მამულში (სოფ. მურომცევო, კალუგის გუბერნია). 1812 სამამულო ომის დროს მ. კუტუზოვის ნებართვით ჩაება ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ იმპ. ალექსანდრე I-მა იგი კვლავ თავის მამულში დააბრუნა.

იაშვილი ლევან მიხეილის ძე (1768 — 19. IV. 1836, დაკრძალულია ვიდუბიცკის მონასტერში, კიევი), რუსეთის არმიის არტილერიის გენერალი (1819). ვ. *მ. იაშვილის* უმცროსი ძმა. 1786 დაამთავრა არტილ. კადეტთა კორპუსი. რუსეთ-ოსმ. ომის (1787—91) დროს მონაწილეობდა კინბურნის დაცვასა და ოჩაკოვის გარემოცვაში, 1792—95 ვარშავისა და პრაღის გარემოცვასა და აღებაში. 1805 გაიგზავნა ავსტრიის სამფლობელოებში, სადაც ებრძოდა ფრანგებს ჰაილსბერგთან (1807), *პროისიშ-აილაუსთან,* გუტშტადტთან. 1808 მიიღო გენ.-მ. ჩინი. 1812 სამამულო ომის დროს იყო პ. *ვიტგენშტეინის* ცალკე კორპუსის არტილ. უფროსი. 1812 მიიღო გენ.-ლ. ჩინი. 1813 დაინიშნა მთავარი მოქმედი არმიის არტილ. უფროსად და

Ჭონაწილეობდა რუს. არმიის საზღვარგარეთის ლაშქრობებში. იბრძოდა ლიუცენთან, ბაუცენთან. 1816 დაინიშნა 1-ლი არჭიის არტილ. უფროსად და 17 წლის განჭავლობაში ხელმძღვანელობდა მას. 1832-იდან სამხ. საბჭოს წევრი იყო. 1833-იდან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებული იყო რუსეთისა და უცხოეთის მრავალი ორდენით.

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ლილი მიხეილის ასული (დ. 10. V. 1920, თბილისი), ქართველი კომპოზიტორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1953 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ი. ტუსკიას საკომპოზიციო კლასი). 1960-იდან თბილ. III სამუსიკო სკოლის პედაგოგია (კომპოზიცია). მუშაობს უმთავრესად კამერულ-ვოკალურ და საესტრადო ჟანრებში. მისი სიმღერებიდან აღსანიშნავია „ია-ია", „სიმღერა თბილისზე", „თბილისური საღამოები" და სხვ. 1967 თბილ. მუს. კომედიის თეატრში დაიდგა 0-ის საბავშვო მუს. კომედია (საქართველოში პირველი) „ბაბა-ჯანას ქოშები" (1972 დაიდგა პოლონეთში), ხოლო 1972 — საბავშვო ოპერეტა „ირმისა".

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ლუარსაბ სვეთის ძე (დ. 31. III. 1907, თბილისი), ქართველი მევიოლინე და ალტისტი, პედაგოგი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პროფესორი (1947-იდან). 1931 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ვილშუას სავიოლინო კლასი), 1932—35 სწავლობდა ლენინგრ. კონსერვ. ასპირანტურაში (ალტის კლასი, ხელმძღვ. პროფ. სოსინი). 1925—28 უკრავდა *„ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების"* ორკესტრში, საოპერო სტუდიისა და რუსთაველის თეატრის ორკესტრებში. 1928—45 იყო საქართვ. პირველი სახელმწ. კვარტეტის შემადგენლობაში (ალტი). როგორც სოლისტი და კონცერტმაისტერი სისტემატურად გამოდიოდა საქართვ. ფილარმონიისა და რადიოს ორკესტრებში. 1935-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. კონსერვატორიაში და ცენტრ. სამუსიკო ათწლეულში. 1935 კონსერვატორიაში დააარსა სპეც. ალტის კლასი. მისი მოწაფეები არიან: ი. ლეესი, ს. აინშტაინი, ჰ. შავერდიანი, გ. მელიქიშვილი, თავისი ქალიშვილები — მარინე, ირინე და ნანა იაშვილები; ალტისტი ა. ბეგალიშვილი და სხვ. 1967 — 74 0. მივლინებული იყო ეგვიპტეში ქ. კაიროს კონსერვატორიაში პედაგოგად. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

მ. გადეევანიშვილი.

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ მარინე ლუარსაბის ასული (დ. 20. X. 1932, თბილისი), ქართველი მევიოლინე. საქ. სსრ სახ. არტისტი (1967), ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). ლ. *იაშვილის* შვილი და მოწაფე. 1958 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია. იქვე სწავლობდა ასპირანტურაში (პროფ. მ. მოსტრასის კლასი). 1957-იდან „მოსკონცერტის" სოლისტია. 1958 მიიწვიეს მოსკ. კონსერვ. პედაგოგად. 1966-იდან თბილ. კონსერვ. პედაგოგია. 1967—73 იყო საქართვ. ფილარმონიის კამერული ორკესტრის სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩევა მაღალი პროფ. კულტურით, ტექნიკური სრულყოფილებით, ნატიფი გემოვნებით. ხშირად მართავს კონცერტებს სსრკ ქალაქებში და საზღვარგარეთ. იგი ქართ. სავიოლინო ნაწარმოებთა დიდი პროპაგანდისტია. 0. მრავალი საერთაშ. კონკურსის ლაურეატია (იან კუბელიკის სახ. კონკურსი, პრაღა, 1949; ჰენრიკ ვენიავსკის სახ. კონკურსი, პოზნანი, 1952; ელისაბედის სახ. კონკურსი, ბრიუსელი, 1955). 1975 მიიწვიეს იუგოსლ. ქ. ნოვი-სადის კონსერვ. სავიოლინო კათედრის გამგედ. (მუშაობდა 1979-მდე). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

მ. გადეევანიშვილი.

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ პავლე ბესარიონის ძე (დ. 1. I. 1894, სოფ. სომიწო, ახლანდ. ონის რ-ნი), ქართველი საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი. დაამთავრა ქუთ. ქართ. გიმნაზია (1914), სწავლობდა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე (1916—17), ბერლინის უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე (1920—26). 1931-იდან გერმ, ენის მასწავლებელი თსუ-ში, 1967-იდან პროფესორი.

დიდი წვლილი მიუძღვის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების თარგმნასა და ქართ. ფილოს., ეკონ. და სოც.-პოლიტ. ტერმინოლოგიის დამუშავებაში. 0-მა სრულად თარგმნა კ. მარქსის „კაპიტალი".

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ პაოლო ჯიბრაილის ძე (29. VI. 1894, სოფ. არგვეთი, ახლანდ. სახხერის რ-ნი, — 22. VII. 1937, თბილისი), ქართველი საბჭ. პოეტი. სწავლობდა ჯერ ქუთაისის, შემდეგ ანაპის გიმნაზიაში. 1913 რედაქტორობდა ჟურნ. *„ოქროს ვერძს"*. ამავე წელს გაემგზავრა პარიზში, სადაც სწავლობდა ლუვრთან არსებულ ხელოვნ. ინ-ტში. 1915 დამდეგს დაბრუნდა ქუთაისში, სადაც სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად ქართვ. სიმბოლისტების *„ცისფერყანწელების"* ჯგუფი დააარსა. რედაქტორობდა ჟურნ. *„ცისფერ ყანწებს"* (1916). იღვწოდა როგორც კულტ., ისე საზ. სარბიელზე. 1927 საქ. ცაკის წევრობის კანდიდატი, ხოლო 1934 ამიერკავკ. ცაკის წევრი იყო. იმავე წელს აირჩიეს სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

0-ის პირველ გამოქვეყნებულ ლექსში „ღმერთო, ღმერთო..." (გაზ. „კოლხიდა", 1911) გამოვლინდა „თერგდალეულთა" პატრ. ლირიკის ინერცია. შემდეგში ევრ., ე. წ. „ახალ პოეზიას" ნაზიარები პოეტი ალარ დასვჯერდა ტრად. ლექსს. იგი ახ. გამომსახველობით ხერხებს ეძიებდა, ფართოდ იყენებდა სიმბოლისტურ სკოლათა გამოცდილებას („ქორწილი", 1915; „* * * პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე", „ტრიპტიხი", ორივე 1916, და სხვ.). სამყაროს დასასრულის აპოკალიფსური მოლოდინი, გაორება და სულის მიუსაფრობა გადმოსცა მან ლექსებში „ფარშავანგები ქალაქში", „წითელი ხარი" (ორივე 1916), „* * * თორმეტი წლიდან ალარ მაცლიდნენ" (1918) და სხვ. 0-ის ადრინდ. ლირიკის გმირი, „ბრბოსაგან" განდგომილი პოეტი-დენდი, ოცნებებისა და ქიმერების ტყვეობაში იყო („ვალერიან გაფრინდაშვილს", 1915; „ავტოპორტრეტი", 1917; „ტიციან ტაბიძეს", 1919). ახლისმაძიებლური პათოსი მსჭვალავდა ლექსთა ციკლს „ელენე დარიანის დღიურები" (1915—24), რ-იც ლიტ. მისტიფიკაციის მკაფიო ნიმუშია.

0-ის ექსპრომტი „ახალ საქ: რთველოს" (1921) „ძველი, დახავსებული ქვეყნის" აფეთქების მოწოდებას შეიცავდა, მაგრამ შემოქმედებითი ევოლუციის პროცესი რთული და მტკივნეული აღმოჩნდა. ლექსებში „ლენინს", „თბილისი" (ორივე 1924), „არგვეთის ღამეები" (1926), „თივის ურმეული" (1927) და სხვ. გამოიკვეთა პოეტის ახლებური, წრფელი და ნათელი ხელწერა. მან საბოლოოდ დათმო „წმინდა ხელოვნების" სამსახური; ლექსებში „პოეტი და ადამიანი" (1921), „პოეზია" (1926), „როგორც აფრის ტკაცუნი", „მაგიდა — ჩემი პარნასი" (ორივე 1932), „მწვერვალებიდან" (1934) ხელოვანის შემოქმედებითი წვის პროცესი, თავისი ახ. პოეტური კრედო წარმოსახა. 0. შეეხაროდა განახლებულ საქართველოს („თბილისი", 1924; „სამასი არგვეთელი", 1933; „ზემოური რთველი", 1934; „მიმართვა კოლხიდას", 1937). მის პოეზიაში საბოლოოდ დამკვიდრდა ხალისიანი ინტონაციები („არგვეთის ღამეები", 1926; „დილა", 1933; „დებედაჩაის ღამე", 1934; „მალთაყვა", 1937 და სხვ.). 0., ქართ. ვერსიფიკაციის ნოვატორი, ტრიოლეტებისა და სონეტების გარდა ოსტატურად დაეუფლა თავისუფალ ლექსსაც. ნატიფი ბგერწერა, გაუცვეთავი პოეტური ტროპები, ე. წ. „ახალი რითმები", ზომიერად გამოყენებული ნეოლოგიზმები და დიალექტიზმები ამდიდრებდნენ მის პოეტურ პალიტრას. 0-ს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობები „ფერადი ბუშტები" (1924), „სამი ტკივილი" (1925); დაუმთავრებელი პოემა „გზა მშვიდობისა" (1936—37); ლიტ. წერილები; ა. პუშკინის, კ. ბალმონტის, ვ. მაიაკოვსკის, შ. ბოდლერის, ა. რემბოს, ო. უაილდისა და სხვ. თხზულებათა თარგმანები. 0-ის ლექსების პირველი წიგნი 1955 გამოიცა. თხზულებათა პირველი ვრცელი კრებული — 1959 (რედ. შ. დემეტრაძე). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თბზ.: პოეზია. პროზა. წერილები. თარგმანები, თბ., 1975.

ლიტ.: ა ვ ა ლ ი ა ნ ი ლ., პაოლო იაშვილი, თბ., 1977; ა ს ა თ ი ა ნ ი გ., პაოლო იაშვილი, «მნათობი», 1964, № 7; ა ფ ხ ა ი ძ ე შ., პაოლო იაშვილი, იქვე, 1960, № 11, 12; კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს., ახლობელი და შორეული, თბ., 1964; ქ ი ქ ო ძ ე გ., ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958.

ლ. ავალიანი.

ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ რევაზ იოსების ძე (დ. 16. VII. 1929, თბილისი), ქართველი საბჭ. კერამიკოსი, თანამედროვე ქართ. შავკრიალა კერამიკის ფუძემდებელი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1965). სკკპ წევრი 1961-იდან. 1953 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. თბილ. სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1974-იდან პროფესორი). მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ლაკონიური და მეტყველი ფორმები, უბრალოება, პლასტიკურობა, დეკორატიულობა, ეროვნ. ტრად. ელემენტების ჰარმონიულად შერწყმა თანამედროვე მხატვრულ ფორმებთან. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: სალვინე ჭურჭლები — „ირემი" (1960, ოქროს მედალი მოსკ. სას.-სამ. გამოფენაზე), „ხარი" (1963, ვერცხლის მედალი პრაღის კერამიკის მსოფლიო გამოფენაზე); გააფორმა წყაროები ზედაზენზე (1965), რიკოთის უღელტეხილზე (1966), წყალტუბოში (1966).

რ. ი ა შ ვ ი ლ ი. „ირემი". დეკორატიული სასმისი. შავკრიალა კერამიკა. 1960. საქ. სსრ სახელმწიფო სამხატვრო გალერეა, თბილისი.

ᲘᲐᲗᲮᲕᲐ, აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნის სოფლების *ზემო იაშთხვისა* და *ქვემო იაშთხვის* ძვ. სახელწოდება.

ᲘᲐᲗᲮᲕᲐ, პალეოლითური ხანის ღია ტიპის ნამოსახლარი-სახელოსნო ქ. სოხუმის ჩრდ-ით 2 *კმ*-ზე, ოსტროუმოვის ხეობასა და იაშთხვისა და ბირცხის მთებს შორის, ზ. დ. 80 — 140 *მ*. არქეოლ. კვლევა-ძიება ჩატარდა 1935—38 (ს. ზამიატნინი). ძეგლზე, რ-ის ფართობია რამდენიმე *ჰა*, ზამიატნინმა გამოჰყო 14 პუნქტი, სადაც თავმოყრილია ქვის მასალა. ნივთების დიდი ნაწილი ნაპოვნია მიწის ზედაპირზე, ნაწილი — გათხრების შედეგად. მასალად გამოყენებულია დანიური იარუსის კაჟი. 0-ის კოლექციაში აშელის, მუსტიეს და ზედა პალეოლითის ხანის რამდენიმე ათასი ქვის ნივთია. ანატკეცებისთვის დამახასიათებელია მასიურობა, დარტყმის დიდი მოედანი, რელიეფური







სპორტული იახტების ზოგიერთი ტიპი: 1—ოკეი-დინგი; 2—ტემპესტი; 3—ფინი; 4—მფრინავი ჰოლანდიელი; 5—505; 6—ვარსკვლავიერი; 7—ფალკბოტი; 8—დრაკონი; 9—სოლინგი

ბურცობი და სქელი პატინა. ხელცულები და საჩეჩი იარაღი მასიურია და პრიმიტიულადაა დამუშავებული. გვხვდება კლექტონური ანატკეცები, ლევალუაზური ნუკლეუსები და ანატკეც-ლამელები. შედარებით მცირეა შუა პალეოლითური (მუსტიეს) და ზედა პალეოლითური მასალა. მუსტიეს ხანისაა ქვის საბოკეები, წვეტანები, ნაწილობრივ ორმხრივ დამუშავებული იარაღი და სხვ. ზედა პალეოლითურია სხვადასხვა სახის საჭრისები და საფხეკები.

1958 ი-ზე აღმოჩნდა (ნ. ბერძენიშვილი) ახ. პუნქტები, სადაც ნაპოვნია მრავალრიცხოვანი ქვის ნაწარმი (მ. შ. აშელის ადრინდ. პერიოდის ხელცულები). 1961—65 გამოვლინდა ქვედა და შუა პალეოლითური ხანის მასალის თავმოყრის პუნქტები (ი. კორობკოვი).

ლიტ.: Бердзенишвили Н. З., Новые данные о палеолите Абхазии, «დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინ-ტის შრომები», 1959, ტ. 30; Замятнин С. Н., Палеолит Абхазии, «Труды Ин-та абхазской культуры», 1937, в. 10; Коробков И. И., Итоги пятилетних исследований Яштухского палеолитического местонахождения, «Советская археология», 1967, № 4.

დ. თუშაბრამიშვილი.

იაშვილი (ნამდვ. გვარი პოპოვი) ალექსანდრე იაკობის ძე [14 (27). III. 1913, სოფ. ბლუდნოვო, ახლანდ. ვოლოგდის ოლქი, — 11. VII. 1968, მოსკოვი, დაკრძალულია ბლუდნოვოში], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1941-იდან. დაიბადა გლეხის ოჯახში. დაამთავრა გორკის სახ. ლიტ. ინ-ტი (1941). დიდი სამამულო ომის დროს საზღვაო ფლოტში სამხ. ჟურნალისტი და პოლიტმუშაკი იყო. ავტორია ლექსთა კრებულებისა („სიმღერა ჩრდილოეთს", 1934; „ეს ზოხდა ბალტიკაზე", 1942; „რისხვის ქალაქი", 1943; „თანამემამულენი", 1946; „საბჭოთა ადამიანი", 1951 და სხვ.), პოემისა („ალიონა ფომინა", 1949; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950) და მრავალი პროზაული თხზულებისა („ობოლი", 1962; „ვოლოგდური ქორწილი", 1962 და სხვ.).

იაცუსირო, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. კიუსიუს დას. სანაპიროზე, კუმამოტოს პრეფექტურაში. 103 ათ. მცხ. (1972). ქიმ., ცელულოზა-ქაღალდის, ცემენტის, საფეიქრო, კვების მრეწველობა.

იახროშა, ქალაქი რსფსრ მოსკოვის ოლქში. რკინიგზის სადგური. ნავმისადგომი მოსკ. სახ. არხზე. სართავ-საქსოვი ფ-კა. საღამოს საფეიქრო ტექნიკუმი. ი-ის რ-ნში განვითარებულია მებოსტნეობა.

იახსარი, წარმართული ღვთაება ფშავ-ხევსურეთში. მისი კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ერწო-თიანეთში. ი-ის ხატი ქისტაურთა თემის მთავარ სალოცავად ითვლებოდა. საკულტო ცენტრი იყო ფშავში (სოფ. შუაფხო). ხშირად მოიხსენიება მითებსა და თქმულებებში, ლექსებსა და ბალადებში და სასულიერო ტექსტებში. სხვა ღვთისშვილებისაგან განსხვავებით, ი. ზეციდან მოვლენილად მიაჩნდათ შიბის, ჯვრის ან სვეტის სახით („სვეტად ჩამოსული"). ხალხური რწმენა-წარმოდგენით, მას მიეწერებოდა ფშავ-ხევსურეთში ავსულებთან (დევები, ქაჯები, ეშმაკები) შეურიგებელი ბრძოლა, საკუთარი საკმოს წევრებისა და მისი მავედრებელი უცხო მლოცველების მფარველობა. ი-ის დროშით ხევისბერები ცდილობდნენ სულით ავადმყოფისაგან ბოროტი ძალის განდევნას, არაბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილის (ზეავში დალუპული, მეხდაცემული, წყალში დამხრჩვალი) „სულის გამოხსნას" და ა. შ.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 — ფშავი, თბ., 1974; ოჩიური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, [წგნ.] 1, თბ., 1974 (ქართული ფოლკლორი, IV); შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, [ტ.] 1 — ხევსურული, ტფ., 1931.

თ. ოჩიური.

იახტა (ჰოლანდ. jacht), სპორტული ან ტურისტული მიზნებისათვის განკუთვნილი გემი ან ნავი (აფრიანი, შიგაწვისძრავიანი ან ორთქლისძრავიანი). უფრო გავრცელებულია სხვადასხვა კონსტრუქციისა და ზომის აფრიანი ი-ები. დანიშნულებისა და ცურვის რაიონის, აგრეთვე კორპუსის (გემის ჩონჩხის) კონსტრუქციისა და აღჭურვილობის (იალქნები, ანძები) მიხედვით ი. სხვადასხვა ტიპისაა. მაგ., დანიშნულებისა და ცურვის რაიონის მიხედვით ი. შეიძლება იყოს კრეისერული (აფრიანი) — დიდ მანძილზე ცურვისა და გაშლილ ზღვაში მარულისათვის — და სარბოლი—მარულისათვის მხოლოდ მდინარეებსა და ტბებზე (სპორტ. ი-ების კლასები იხ. სტატიაში *აფროსნობა*). კორპუსის ფორმის მიხედვით ასხვავებენ კილიან ი-ს, რ-ის კორპუსის ძროს ქვედა ნაწილში ღრმა ფარფლის ფორმა აქვს (ფარფლი ქმნის მნიშვნელოვან გვერდით წინაღობას); შვერბოტს, რ-ის განიერი კორპუსი წყალში მცირე სიღრმეზე ჯდება, და კომპრომისს — შუალედურ ი-ის კილიან ი-სა და შვერბოტს შორის. კილიანი ი. და შვერბოტი არის კრეისერული და სარბოლი, აღჭურვილობის მიხედვით განასხვავებენ კეტს, კარჭაპს, კუტერს (ტენდერს), იოლს, კეჩს და სანდალს. ყველა სპორტ. აფრიანი ნავი აღჭურვილია გაფელის ან ბერმუდის აფრებით, ამიტომ აღჭურვილობის ტიპის მიხედვით ი-ებმა მიიღო სათანადო სახელწოდება; გაფელის კეტი, ბერმუდის კარჭაპი და ა. შ. (იხ. *საიალქნო აღჭურვილობა*).

იაჰვე (ებრ. יהוה), იუდაისტური რელიგიის უზენაესი ღვთაება. სიტყვის ეტიმოლოგია დაუდგენელია. ტრადიციის მიხედვით ნიშნავს „მყოფს, არსებულს". მცდარი წაკითხვა „იეჰოვა" გვიანდელია (XII ს. შემდეგ). ი. როგორც ღმერთის სახელი, გვხვდება ძველი აღთქმის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში (დაახლ. 7000-ჯერ), სხვაგან ღმერთს *ელოჰიმი* ეწოდება. ი-ს თავდაპირველად იუდას ტომის მფარველად მიიჩნევდნენ. ებრაელთა ქანაანში (პალესტინა) დამკვიდრების შემდეგ ი. მიწათმოქმედების ღმერთად გვევლინება. ისრაელის სამეფოს დაარსების შემდეგ (ძვ. წ. XI ს.) ი. მეფის მფარველ ღმერთად აღიარეს. *სოლომონმა* მის სახელზე ტაძარი ააგო იერუსალიმში. მეფე *იოსიას* რეფორმების შედეგად მოხდა ი-ს კულტის ცენტრალიზაცია, მაგრამ მონოთეიზმმა იუდაიზმში საბოლოოდ შედარებით უფრო გვიან გაიმარჯვა.

მ. შანიძე.

იაკია ანტიოქიელი, იბნ საიდ იბნ იაჰია ალ-ანტაქი (დაახლ. 980—1066), ქრისტიანი არაბი ისტორიკოსი და ექიმი. შეადგინა ალექსანდრიის პატრიარქ ევტიხის (გ. 939) „მსოფლიო ისტორიის" გაგრძელება „თარიხ ალ-ზაილი". თხზ. მთავრდება 1066-ის ამბებით. ნაშრომი წარმოადგენს პირველწყაროს ჩრდ. აფრ., სირია-მესოპოტამიისა და ბიზანტ. ისტ. შესასწავლად. მასში საინტერესო ცნობებია აგრეთვე საქართველო-ბიზანტ. ურთიერთობის შესახებ კეისარ ბასილ II-ის (976—1025) დროს. კერძოდ, დავით III-ის კურაპალატად დანიშვნა; ტაოს გადასვლა ბიზანტ. ხელში; მისი დაბრუნება გიორგი I-ის მიერ და ქართველთა მეფის კავშირი ეგვ. ხალიფა ალ-ჰაქიმთან ბიზანტ. წინააღმდეგ ერთდროული ლაშქრობის მოსაწყობად, ამ მოლაპარაკების ჩაშლა; ბასილის ხელახალი ლაშქრობა საქართველოში 1020 წელს; ბიზანტიის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დროებით დაბრუნება და სხვ.

ლიტ.: Крымский А., Яхья Антиохийский, Энциклопедический словарь, изд. Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, т. 82 (41-А), СПб., 1904; Розен В. Р., Император Василий Болгаробойца .., СПб., 1883.

ბ. სილაგაძე.

იაკია ქეშალ ბეიათლი (2. XII. 1884 უსკუბი, — 1. XI. 1958), თურქი პოეტი. სწავლობდა პარიზის უნ-ტში (1903—08) სტამბოლის უნ-ტში კითხულობდა ლექციებს. რამდენჯერმე აირჩიეს მეჯლისი დეპუტატად. იყო თურქ. ელჩი პოლონეთში, ესპანეთში, ინდოეთში და სხვ. წერდა უპირატესად ღაზალის ჟანრის ლექსებს. მისი სატრფიალო და პეიზაჟური ლირიკა გამოირჩევა მუსიკალობით, სრულყოფილ ფორმით. ი. ძ. ბ-ის პოეზიას ახასიათებს ცხოვრებისაგან განდგომის, უიმედობის მოტივები, ოსმ. წარსულის იდეალიზაცია. მისი შემოქმედება ავითარებს კლასიკურ აღმოსავლურ ტრადიციებს, თავლასა ჩინოა ფრანგ. სიმბოლიზმის გავლენა. პოეტის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ი. ძ. ბ-ის თაყვანისმცემელთა საზ-ბა და მისი მუზეუმ-ინ-ტი.

იაკმესი, იაკმოსი, ძვ. ეგვიპტის ფარაონთა სახელი, **I. 1,** თებეს მმართველი, XVIII დინასტიის პირველი მეფე ძვ. წ. 1584/80 — 1559/57. სათავეში ჩაუდგა უცხოელი დამპყრობლების — *ჰიქსოსების* წინააღმდეგ ბრძოლას და ეგვიპტე გაათავისუფლა. აღადგინა ორსაუკუნოვანი შინაა აშლილობისა და დამპყრობლების თარეშის შედეგად დაშლილი სახელმწიფო. ი-მ აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, განაახლა გზები, ჭები, სამგზავრო სადგურები უდაბნოში, მოშლილი საირიგაციო სისტემა საგადასახადო სისტემა.

II. (ბერძ. ტრადიციით ამასი), XXVI დინასტიის ფარაონი ძვ. წ. 569—526/25. ეკავა მაღალი სამხ. დ. ადმ. თანამდებობები სასახლის კარზე. გამჭრახობისა და მოხერხებულობის წყალობით კარგად გამოიყენა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და ფარაონის თანამმართველი გახდა. ფარაონ აპრიას დაღუპვის შემდეგ ი. ტახტზე ავიდა. მის დროს განმტკიცდა კულტ. და ეკონ. კავშირი საბერძნეთთან. ეგვიპტელების დაშიშმინების მიზნით ბერძნებს აუკრძალა *ნავკრატიდის* გარდა სხვაგან დასახლება და საქმიანობა, სინამდვილეში კი ბერძნები მნიშვნელოვანი უფლებებით აღჭურვა. ჰეროდოტეს ცნობით ი-ს მმართველობის დროს ეგვიპტე აღმავლობას განიცდიდა. „ქვეყანაში მის დროს 20 ათასი ქალაქი იყო", გადაისინჯა კანონები (ერთი ერთი მოსახლის ყოველწლიური შემოსავლის რაოდენობის შესახებ ცნობა სოლონის ათენის კანონმდებლობაში შეუტანია), მოახდინა სატაძრო შემოსავლის სეკულარიზაცია. აღმ-ში უარი თქვა სირიასა და პალესტინაზე, სამაგიეროდ, ძლიერი ფლოტის წყალობით კვიპროსი ეგვიპტის პროვინციად აქცია. მისი მეფობის ბოლო წლებში ეგვიპტეს საშიშროება შეექმნა აღმ-ით, აქემენიანთა სახელმწიფოს სახით.

ლ. შენგელია.

იბაგე (Ibagué), ქალაქი კოლუმბიის ცენტრალურ ნაწილში, ცენტრ. კორდილიერის აღმ. კალთებზე. ტოლიმის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 226,5 ათ. მცხ. (1973). საავტ. და სარკინიგზო გზებით უკავშირდება ბოგოტას. სას.-სამ. რ-ნის (ყავა, შაქრის ლერწამი, ბრინჯი, თამბაქო და სხვ.; მესაქონლეობა) სავაჭრო ცენტრი. ტყავის ნაწარმის შინამრეწველური დამზადება. კვების მრეწვ. საწარმოები. უნ-ტი.

იბადანი (Ibadan), ქალაქი სამხრ.-დას. ნიგერიაში. ოიოს შტატის ადმ. ცენტრი. 847 ათ. მცხ. (1975). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. გააქვთ კაკაომარცვალი. თამბაქოს ფ-კა, ხილსაკონსერვო ქ-ნა. პლასტმასისა და რეზინის ნაკეთობათა დამზადება. ავტოსარემონტო, ხის დასამუშ. სახელოსნოები. შინასარეწები. უნ-ტი.

იბარაკი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ოსაკის პრეფექტურაში. 191 ათ. მცხ. (1973). მეტალ., ელექტრომანქანათ-

შ., კაბელის, ქიმ. და კვების მრეწვ. წარმოება.

ᲘᲐᲠᲐᲙᲘ, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ინსიუს აღმ. სანაპიროზე. ფართ. 6,1 ათ. კ². მოსახლ. 2,3 მლნ. კაცი (1975), აქეთ ან დაახლ. 45% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. — ქ. მიტო. ტერიტორიის დიდი ნაწილი იაგორიანია. შედის კანტოს ეკონ. რ-ნის მ ადგენლობაში. დამუშავებულია დაახლ. 235 ათ. ჰა მიწა. მოჰყავთ ბრინჯი, ორბალი, ქერი, თამბაქო. განვითარებულია მებოსტნეობა (კიტრი, პომიდორი) ა მებაღეობა (მსხალი და სხვ.). მეცხოველეობით O. I ადგილზეა იაპონიაში. რეწვ. მთავარი დარგებია ელექტრომანათმშ., მეტალურგია (უმთავრესად შა- მეტალურგია), კვების მრეწველობა. ასახლ. პუნქტის ტოკაის მახლობლად ბის იაპ. ატომური კვლევისა და ატომური მრეწვ. ცენტრი. ჰიტატის რ-ნში ილენ პირიტსა და სპილენძს.

ᲘᲑᲐᲠᲑᲣᲠᲣ (Ibarbourou) ხუანა დე (დ. III. 1895, მელო, სერო-ლარგოს პროინცია), ურუგვაელი პოეტი ქალი. უდიესი აღიარება მოიპოვა ამერ. კონტინენტე: დაფნის გვირგვინით შეამკეს და „ამერიკელი ხუანა" („Juana de America") წოდეს. მისი ლირ. პოეზიის მთავარი ვისებაა პანთეიზმი (კრებულები „ბრიანტის ენები", 1919; „ველური ფესვი", 922; „ქართა ვარდი", 1930). შემდეგ მის ეექსებსა და მოთხრობებში მელანქოლია ომძლავრდა, რაც თანდათანობით მისტ. ანწყობილებაში გადაიზარდა (მოთხრობათა კრებულები: „ბიბლიური ესტამპი", 1934; „პატარა კარლო", 1944; ლექსთა კრებულები: „დანაკარგი", 1950; ბედის რომანსები", 1954 და სხვ.).

ᲘᲑᲐᲠᲠᲣᲠᲘ (Ibarruri) დოლორეს (დ. 9. II. 1895, გალიარტა, ბისკაის პროინცია), ესპანეთისა და საერთაშორისო უშათა მოძრაობის მოღვაწე. აქვეყნებდა ტატიებს პასიონარიას (მგზნებარე) საელით. დღიდან დაარსებისა (1920 აპრ.) სპანეთის კომპარტიის (ეკპ) წევრია. რეაქტორობდა კომუნისტურ გაზეთებს. იყო ეკპ-ის ბისკაის საოლქო კომიტეტის წევრი; 1930-იდან ეკპ ცკ-ის, ხოლო 1932-იდან პოლიტბიუროს (1960-იდან აღმასრ. კომიტეტის) წევრი. 1932—42 ეკპ ცკ-ის მდივანი. 1932-იდან სათავეში ედგა ეკპ-ის მუაობას ქალთა შორის. 1931—33 იყო ეკპ-ს ცენტრ. ორგანოს გაზ. „მუნდო ობრეროს" („Mundo Obrero") ერთ-ერთი რეაქტორი. ექვსჯერ იყო დაპატიმრებული. ომინტერნის VII კონგრესზე (1935) აირჩიეს კომინტერნის აღმასრ. კომიტეტის ევრობის კანდიდატად. 1936 იყო კორტესის დეპუტატი, 1937 კორტესის ვიცეთავ-რე. როგორც კომპარტიის ხელმძღანელმა O-მ განსაკუთრებული როლი ითამაშა ესპ. ეროვნ.-რევ. ომის (1936—39) დროს. 1939—77 იყო ემიგრაციაში. II მსოფლიო ომის დროს (1939—45) აქტიურად მონაწილეობდა საერთაშ. ანტიფაშისტურ მოძრაობაში და იბრძოდა ესპანელთა გაერთიანებისათვის *ერთიან ფრონტში,* ათა ესპანეთი II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმ. მხარეზე არ ჩაბმულიყო. ხ. *დისს* სიკვდილის შემდეგ აირჩიეს ეკპ გენ. დივნად (1942—60). VI ყრილობაზე (1960) ირჩიეს ეკპ-ის თავ-რედ. O. მრავალი

იგნისა და პუბლიც. სტატიის ავტორია. ელმძღვანელობდა „ესპანეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის" შემდგენელ ომისიას. არის ქალთა საერთაშ. დემოკრ. ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1945), „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1964). მოსკ. უნ-ტის საპატიო დოქტორი (1961). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენითა და მედლებით.

ᲘᲑᲔᲠᲘᲔᲑᲘ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველი ტომების სახელწოდება ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით. ცხოვრობდნენ *იბერიის* ტერიტორიაზე. მთავარი როლი ითამაშეს ერთიანი ქართვ. ხალხის ჩამოყალიბებაში.

ᲘᲑᲔᲠᲔᲑᲘ (ბერძნ. Ibēres, ლათ. Hiberi, Hiberes), ესპანეთის უძველესი მოსახლეობა. თავდაპირველად ცხოვრობდნენ სამხრ. და აღმ. ესპ. ტერიტორიაზე. შემდეგ—(ძვ. წ. VII—III სს.) მთელ პირენეს ნ.-კ-ზე. წარმოშობით ჩრდ. აფრიკულ ტომებად მიიჩნევენ, ძველთაგანვე არსებობდა აზრი კავკასიის იბერებთან მათი ნათესაობის შესახებ (*აპიანე ალექსანდრიელი, სტრაბონი*), რაც ცნობილი იყო ქართველი მოღვაწეებისთვის ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში (გიორგი მთაწმიდელი). ჰიპოთეზა O-ისა და ქართველ ტომთა ნათესაობის შესახებ დღესაც გადაუჭრელია. იბერულ ტომთაგან დაწინაურებულნი იყვნენ: ტურდეტანები, ტურდულები, ბასტეტანები, კარპეტანები, ინდიგეტები, ედეტანები და სხვ. ტომები ერთიანდებოდნენ ქალაქური ტიპის გამაგრებულ სამოსახლოთა გარშემო (ნუმანცია, სეგოვია, ტარაგონია და სხვ.). იბერიის კულტურის მნიშვნელოვან ცენტრს ტურდეტანების მხარე (ახლანდ. ანდალუსია და მურსია) წარმოადგენდა, სადაც, ანტ. ავტორთა მიხედვით, ტარტესის სახელმწიფო არსებობდა (დაარსდა ძვ. წ. 1100). O-ის კელტებთან შერწყმის შედეგად ძვ. წ. VI—III სს-ში ჩამოყალიბდა კელტიბერთა ტომი. O-მა განიცადეს ფინიკიელებისა და ბერძნების გავლენა. ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა. ძვ. წ. V—III სს-ში იბერია კართაგენელებმა დაიპყრეს, ძვ. წ. III—II სს-ში — რომაელებმა (ძვ. წ. 19—18 მთელი ესპანეთი დაიპყრეს). ძვ. წ. II ს. — ახ. წ. I ს-ში მოხდა O-ის რომანიზაცია.

O-ის ხელოვნებამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ძვ. წ. VIII ს-იდან; განსაკუთრებით განვითარდა იგი ძვ. წ. V—IV სს-ში. ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან შემორჩენილია გორაკებზე აგებული ძვ. ქალაქების კედლების, კოშკების, სამლოცველოებისა და სამარხვნების ნანგრევები. ძვ. წ. IV—III სს-ში იყენებდნენ რეგულარულ წყობას. ქმნიდნენ ადამიანთა და ზოომორფულ ფიგურებს (ძირითადად ძვ. წ. V—IV სს. უმთავრესად კირქვა), მცირე ზომის ბრინჯაოს ვოტიკურ ფიგურებს, განვითარებული იყო ლითონის მხატვრული დამუშავება, მოხატული კერამიკის დამზადება. *ნ. ლომოური.*

ᲘᲑᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲐᲨᲘ, იხ. *ქართული მონასტერი პალესტინაში.*

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ, ᲘᲕᲔᲠᲘᲐ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსა და ამ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოს სახელწოდება ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში. გვიანდ. შუა საუკუნეების, ახ. და უახლესი დროის ქართ. წყაროებსა და ლიტ-რაში ტერმ. „ივერია" იხმარებოდა მთელი საქართველოს აღსანიშნავად, ამასთან, აღმ. საქართველოს უწოდებდნენ ზემო ივერიას, ხოლო დას. საქართველოს — ქვემო ივერიას. ამ სახელწ. წარმომავლობა ნათელი არ არის. იგი გაჩნდა უცხოენოვან (ბერძნულ) გარემოში ელინისტურ ხანაში. ზოგი მას ქართულ „იმერს" (იქითა მხარე) უკავშირებს და მიიჩნევს დას. საქართველოში ლიხსიქითა ან მესხეთის მთებსიქითა ქვეყნის აღსანიშნავად შექმნილ ტერმინად, ზოგი კი უკავშირებს ძვ. წ. V ს. ბერძენ ავტორებთან დამოწმებულ *სასპერეზის* სახელს (მათი სახელი შემორჩა ისტ. სპერის ოლქს). ბერძნებთან O-დ ცნობილი ქვეყანა ადგილობრივ „ქართლად" იწოდებოდა. ელინისტური ხანიდან O. მუდამ ერთ გარკვეულ პოლიტ. ერთეულს (სახელმწიფოს) აღნიშნავდა, რ-იც აღმ. და სამხრ. საქართველოს ვრცელ მიწა-წყალს მოიცავდა. ამ ტერიტორიაზე უმეტესად აღმოსავლურ-ქართ. ტომები (ქართები-იბერები) სახლობდნენ. წინაელინისტურ ხანაში აქ მრავალი სატომთაშორისო გაერთიანება (ტომთა კავშირი) და ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო. ამ დროს აქაური მოსახლ. პოლიტ. ცხოვრებაში აქტ. როლი უნდა ეთამაშა მესხების ქართვ. ტომებს, რ-ებიც ადრე ხეთური კულტურის გავლენის სფეროში შედიოდნენ და მცირე აზიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში ცხოვრობდნენ. აქემენიდურ ხანაში ამ რაიონში არსებული ქართ. გაერთიანება ცნობილია *არიან-ქართლის* („სპარსეთის ქართლის") სახელით და სპარს. ფარგლებში უშუალოდ შემავალ აღმოსავლურ-ქართ. გაერთიანებას გულისხმობს. ძვ. წ. IV—III სს. მიჯნაზე მან

დ. იბარური.

იბერები. „ქალი ელჩებიდან". კირქვა. ძვ. წ. V ს. პრადო, მადრიდი.

ᲘᲑᲔᲠᲘᲐ II ს პირველ ნახევარში



შეძლო თავისი ძალაუფლების გავრცელება შიდა ქართლზეც; შეიქმნა დიდი სახელმწ. გაერთიანება, რ-ის ცენტრი მცხეთის მიდამოებში მდებარეობდა. თვით მცხეთის სახელიც მესხთა ტომის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები. მცირეაზიელ მესხებს უნდა მოეტანათ აქ ზოგიერთი ხეთური ღვთაების კულტი (არმაზის, ზადენის), რ-ებიც O-ის უზენაეს ღმერთებად იქცნენ. მათ სახელზე მცხეთის მიდამოებში ააგეს ორი დიდი ციხესიმაგრე — *არმაზციხე* და ზადენციხე.

ძვ. წ. III ს. დასაწყისში O-ის სამეფოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ადგილ. წარმოშობის პირმა („მცხეთის მამასახლისების“ საგვარეულოს წევრმა) ფარნავაზმა, რ-იც O-ის მეფეთა ახ. დინასტიის—ფარნავაზიანების — ფუძემდებელი გახდა. ფარნავაზისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს (ძვ. წ. III ს.) O-მ დიდ ძლიერებას მიაღწია და საკმაოდ ვრცელი სახელმწიფო გახდა. შიდა ქართლის, კახეთისა და მესხეთის გარდა მასში შედიოდა დას. საქართვ. ნაწილი (არგვეთი, აჭარა). მის შემადგენლობაში იყარაუდება ისტ. ოლქები — გოგარენე, ხორძენე და პარიადრის მთის კალთები (ისინი, სტრაბონის ცხობით, მხოლოდ ძვ. წ. II—I სს-ში ჩამოაჭრეს სომხ. სამეფოებმა იბერებს). O-ის სამეფოს ძალაუფლება ვრცელდებოდა აგრეთვე აღმ. საქართვ. მთიანეთზე და დას. საქართვ. ბარის რაიონებზეც (ეგრისი). ქართ. ისტ. ტრადიცია უკვე ფარნავაზის ხანას მიაწერს სამეფოს დაყოფას 7 საერისთავოდ: 1. არგვეთი, 2. კახეთი და კუხეთი, 3. გარდაბანი, 4. ტაშირი და აბოცი, 5. ჯავახეთი, კოლა და არტაანი, 6. სამცხე და აჭარა, 7. კლარჯეთი. ცალკე ერთეულს ქმნიდა შიდა ქართლი, რ-იც სპასპეტის საგამგებლოს წარმოადგენდა. ფარნავაზის სუვერენიტეტს აღიარებდა, ამ ტრადიციის თანახმად, ეგრისიც.

O-ის დედაქალაქი მცხეთა მრავალი სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზის გადაკვეთის პუნქტში მდებარეობდა. აქ იყრიდა თავს გზები ალბანეთიდან, სომხეთიდან, კოლხეთიდან, ჩრდ. კავკასიიდან. ამ ადგილებზე გადიოდა დიდი საერთაშ. სატრანზიტო-სავაჭრო გზა, რ-იც ინდოეთიდან მოდიოდა და კოლხეთის შავიზღვისპირა ქ-ებისაკენ მიემართებოდა. მტკვრის ხეობაში მცხეთის გარდა იყო O-ის მნიშვნელოვანი ცენტრები — უფლისციხე, წუნდა, ოძრ(ა)ხე და სხვ. სტრაბონის ცნობით ელინისტური ხანის O. წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლ. მეტწილად ქ-ებითა და დაბებით დასერილ ქვეყანას, სადაც იყო კრამიტისსახურავიანი და ხუროთმოძღვრების წესით ნაგები სახლები, ბაზრები და სხვა საზ. შენობები. O-ის ქ-ებში იყო სავაჭრო სახელოსნო უბნები, ხშირად უცხო ტომის ხალხით დასახლებული. მაგ., ძვ. ქართ. ქრონიკის მიხედვით, ძვ. წ. 169 მცხეთაში დაარსებულა ებრაული კოლონია. O-ში ჭრიდნენ ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტების მინაბაძებს, რაც მსოფლიო ბაზარზე O-ის აქტ. მონაწილეობით იყო გამოწვეული. მის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უცხო ქვეყნებში მოჭრილი ელინისტური ხანის მონეტებიც. O-ის სამეფოში დაწინაურებული იყო სამშენებლო საქმე. აიგო ციხესიმაგრეები: არმაზციხე — სამეფო რეზიდენცია, ზადენციხე—სევსამორა, კახეთში — ნეკრესი; აშენდა მცხეთა და სხვ., აღიმართა უზენაეს ღვთაებათა კერპები (არმაზის, ზადენის, აინინასი და დანინასი) და სხვ.

ძვ. წ. II ს. და I ს. პირველ ნახევარში O. დასუსტდა და გაძლიერებულ სომხ. სამეფოებთან პრძოლაში ზოგი ტერიტ. დაკარგა. ელინისტური ხანის O. ადრინდ. კლასობრივი წინაფეოდ. სახელმწიფო იყო. მატერ. დოვლათის მწარმოებელ ძირითად მასას წარმოადგენდნენ თავისუფალი მეთემენი — მიწისმოქმედნი და მეომარნი. დამორჩილებულ სამიწათმოქმედო თემებს ძირითადად სამეფო საგვარეულო უწევდა ექსპლუატაციას. პრივილეგიურ ფენებს წარმოადგენდნენ აგრეთვე სამხ.-სამოხელეო არისტოკრატია და ქურუმობა. სამეფო კარზე ჯერ არ იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული ტახტის მემკვიდრეობის წესი. სამეფო ტახტზე აჰყავდათ გარდაცვლილი მეფის უახლოეს ნათესავთაგან ყველაზე ხნიერი. მთის მოსახლეობა სამეურნეო საქმიანობით, ჩაცმა-დახურვის წესითა და ზნე-ჩვეულებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ბარის მოსახლეობისაგან. იგი ამ დროს ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდა, თუმცა O-ის სახელმწიფო სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ძვ. წ. 65 O. დალაშქრა რომაელმა სარდალმა პომპეუსმა. მიუხედავად ენერგიული წინააღმდეგობისა, O-ის მეფე *არტაგი* ბოლოს და ბოლოს დამორჩილდა რომაელებს.

მალე O. განთავისუფლდა რომზე დამოკიდებულებისაგან. რომსა და O-ს შორის დამყარდა მოკავშირეობითი ურთიერთობა. ახ. წ. I—II სს-ში კი O. კვლავ გაძლიერდა და ხშირად რომის მეტოქედაც გამოდიოდა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. O-ის გაძლიერებას ხელი შეუწყო კონტროლის დაწესებამ კავკასიონის გადმოსასვლელებზე და საგარეო ლაშქრობებში იმიერკავკასიაში მომთაბარე ტომების გამოყენებამ. O-მ მოახერხა მთლიანად დაებრუნებინა ადრე სომხეთის მიერ ჩამორთმეული მიწები და I ს. 30—50-იან წლებში (მეფე ფარსმან I-ისა და მისი ვაჟის რადამისტის დროს) მცირე ხნით მთელ სომხეთსაც დაეუფლა.

I ს. II ნახევარში O-მ ძირითადად შეინარჩუნა რომთან მეგობრული ურთიერთობა. ხოლო II ს. 30—50-იან წლებში, ფარსმან II-ის დროს, როცა O. თავისი ძლიერების მწვერვალზე იყო, მათ შორის დაძაბულობამ იჩინა თავი. O-ის ტერიტორიამ შავ ზღვას მიაღწია და რომაელთა სამფლობელოების ნაწილი შეიერთა. ფარსმან II-მ მრავალგზის შეუთვალა უარი იმპ. ადრიანეს მიწვევაზე და მხოლოდ მისი მემკვიდრის — ანტონინუს პიუსის დროს მოინახულა რომი მეუღლით, ვაჟიშვილით და წარჩინებულთა დიდი ამალით. რომაელები მოუხიბლავს იბერთა სამხ. ვარჯიშს. იმპერატორს დედაქალაქში დაუდგამს ცხენზე მჯდომი ფარსმანის ქანდაკება, აგრეთვე „გაუფართოებია ფარსმანის სამეფო“, ე. ი. უცვნია იბერიის ფართოდ გაწეული საზღვრები.

ამ დროს O. წარმატებით ებრძოდა პართიასაც. მდგომარეობა შეიცვალა III ს-იდან, როცა ძალაუფლება სასანიდების ხელში გადავიდა. შაპურ I-ის დროს (242—272) O. ირანის იმპერიაში შემავალ ქვეყნად ითვლებოდა, მისი მეფე ამაზასპი სახელმწიფოს დიდებულთა შორის რიგით მეოთხე პირად, მაგრამ იგი უფრო ირანის ძლიერ მოკავშირეს წარმოადგენდა, ვიდრე დამორჩილებულ ქვეყანას. შემდგომში O-ის საგარეო მდგომარეობა გაუარესდა და იგი იძულებული გახდა არჩევანი გაეკეთებინა, ერთი მხრით, ძლიერ ირანსა და, მეორე მხრით, გაძლიერების გზაზე მდგარ აღმოსავლეთ რომის იმპერიას (ბიზანტიას) შორის. IV ს. დასაწყისში O. რომის ორიენტაციას დაადგა, რაც სახელმწ. რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებაში გამოიხატა.

I—III სს-ში O-ში მიმდინარეობდა საზ-ბის მკვეთრი ქონებრივი და სოც. დიფერენციაცია. თავისუფალ მეთემეთა ერთმა ნაწილმა დაკარგა საკუთრება და დაქვემდებარებული თემების წევრებს („გლეხებს“) შეერწყა, ანდა „ტაძრეულთა“ (სამეფო მიწების პირობით მფლობელობაში მქონე მიწისმოქმედთა) ფენა შექმნა. მეორე ნაწილი კი აღზევდა და სამხ.-სამოხელეო არისტოკრატიასთან ერთად „ერისაგან“ გამოყოფილ „აზნაურთა“ წრე დააკონსოლიდაციერა. უკვე დიდად განშტოებული სახელმწ. საგვარეულო სეფეწულთა, უმაღლესი ფენას წარმოადგენდა. ამ დროს განუმტკიცებლად ბატონობდა სამეფო ტახტის მამიდაშვილზე გადასვლის წესი. მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ ტაძრებიც, რ-ებიც შემდგომ, IV ს. დასაწყისში, ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით გაანადგურდნენ.

ანტ. ხანის O-ის კულტურა შესასწავლად ძვირფასი მასალა მოგვეცა მცხეთასა და მის მიდამოებში, კლდეეთში, უფლისციხეში და სხვ. ჩატარებულმა არქეოლოგიურ გათხრებმა. აღმოჩნდა ოქროჭედლობის და მხატვრული ხელოსნობის ნეკრი შესანიშნავი ძეგლი, დიდძალი კერამ. და ლითონის ინვენტარი, მოზაიკისა და სკულპტურის ნიმუშები. ნაპოვნია ბერძნ. და არამეული წარწერები, აღმოჩნდა არქიტექტურის ძეგლები — სასახლეებისა და ტაძრებისა, აბანოებისა და საწარმოო კერებისა ნაშთები, დიდძალი ნუმიზმატიკური მასალა. O-ის კულტურა უცხო (ბერძნ.-რომაული, ირან. და სხვ.) ელემენტებთან ერთად შეიცავს მძლავრ ორიგინ. ნაკადს.

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ქალაქები ... საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში [წგნ.] 1, თბ., 1963; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე ... კლდეეთის სამაროვანი ახ. წ. II საუკუნისა, თბ., 1957; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968; *ძცხეთა*, [ტ.] 1 — არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937—1946 წ., განათხარის მიხედვით, თბ., 1955; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; წ ე რ ე თ ე ლ ი გ., არმაზის ბილინგვა, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ... ტორია, წგნ. 1, თბ., 1966; ჯ ა ნ ა შ ი ა ... შრომები, [ტ.] 1—2, თბ., 1943—52.

გ. მელიქიშვილი

იბერია (ბერძნ. Ibēria, ლათ. Hibria), ასე უწოდებდნენ პირენეს ნ.-კ-ს ანტ. ავტორები; დასახლებული იყო *იბერებით*, კელტებითა და პუნებით; რომაელ პოეტისა და გეოგრაფის ავიენას თხზულების მიხედვით, ტერმინ „იბერიაში“ ანტ. ავტორები ოავდაპირველად ნ.-კ-ს მხოლოდ სამხრ. და აღმ. სანაპიროს, უფრო ზუსტად, ახლანდ. პროვ. უელგა ტერიტორიას გულისხმობდნენ. O-ს, რ-ი გორც მთელი ნ.-კ-ის აღმნიშვნელ სახელი პირველად ბერძენი გეოგრაფი ერატოსთენე მოიხსენიებს (შემოინახა სტრაბონთან), ძვ. წ. 230.

იბერიის თემი ი ბ ე რ ი ი ს ს ა ქ ... ტ ე პ ა ნ ო, ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული, შეიქმნა კეისარ ბასილი I-ის დროს, ტაოს მეფის დავით III კურაპალატის სიკვდილის (1001) შემდეგ, მის სამფლობელოებიდან (იხ. *დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა*). O. თ-ში შედიოდა: იმიერტაო, ჩრდ. ბასიანი, ოლთისი, თორთომი, კოლა, არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი და ე. წ. „ზემონი ქუეყანანი“ — არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია, რ-იც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. მოგვიანებით O. თ-ის შემადგენლობაში შევიდა კლარჯეთის ნაწილი, ხოლო კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042—55) — შირაქის სამეფო ქ. ანისით, რ-იც O. თ-ის დედაქალაქად იქცა.

O. თ-ს ჩრდ.-აღმ-ით ესაზღვრებოდა ქართველთა და ვანანდის სამეფოები (ქართველთა სამეფოსთან საზღვარი ბანის წყალზე გადიოდა), დას.-ით — ბიზანტიის ადმ. ერთეული — ქალდიის თემი, სამხრ.-დას.-ით და სამხრ.-აღმ-ით — ტარონისა და ვასპურაკანის ოლქები. O. თ-ის შექმნის ბიზანტიამ გაამაგრა იმპერიის ჩრდ.-აღ. საზღვრები და შექმნა სამხ. პლაცდარმი სომხ. სამეფო-სამთავროებისა და საქართველოს წინააღმდეგ. O. თ-მა არსებობა შ...

ვიტა თურქ-სელჩუკთა შემოსევების შე-
გად დაახლ. 1072—74.
წყარო: ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ერ-
ი ი. ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც.,
., 1974; გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე, წგნ.:
ორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ.,
59; Всеобщая история Степаноса Таронс-
го. Асохика по прозванию писателя XI
летия. Пер. с арм. Н. Эмина. М., 1864.
ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა
ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—
70 წწ., თბ., 1969; ნ ო დ ი ა ი., იბერიის სა-
ჯეპანოს დაარსება, «თსუ შრომები», 1974, ტ.
5—156. *ი. ნოდია.*

ბერიის მთები (Cordillera Iberica),
ები პირენეს ნ.-კ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილ-
, ესპანეთში, მესეტის ზეგნის ჩრდ.-
ბ. კიდესთან. გადაჭიმულია ჩრდ.-დას-
ან სამხრ.-აღმ-კენ 440 *კმ*-ზე, სიმაღ-
ე 2313 *მ*-მდე (მთა მონკაიო). წარმოად-
ნს ნაოჭა-ლოდა მასივების სისტემას.
ებულია მეზოზოური კირქვებით, ქვი-
ქვებითა და კვარციტებით. ხალონის
ობით იყოფა შედარებით მაღალ (ჩრდ.-
ს.) და დაბალ (სამხრ.-აღმ.) მასივე-
დ. ხარობს ხმელთაშუა ზღვის ბუჩქოვა-
მცენარეულობა. ჩრდ.-დას-ში წიწვო-
ნი და მუხის ტყეებია. არის რკინის
ღნის საბადო.

ბერიის ნახევარკუნძული, *პირენეს ნახევარკუნძულის* ძვ. სახელწოდება.

ბერიული ენები, პირენეს ნ.-კ-ისა და
ღევანდელი სამხრ.-დას. საფრანგეთის
ველესი მოსახლეობის ენები. შემორჩე-
ლია წერილობითი ძეგლები, რ-თაგან
ველესი რომის იმპერიის ხანას მიეკუთვ-
ბა. ამ წარწერათა ნიშნების უმრავლე-
ობა ფინიკიურ დამწერლობასთან ავ-
ენს სიახლოვეს, ცალკეული ნიშნები —
ეტულ დამწერლობასთან. წარწერები
აა გაშიფრული. მკვლევართა ნაწილი
ბ-ს თანამედროვე ბასკური ენის წინაპ-
ად მიიჩნევს (ვ. ჰუმბოლდტი, ჰ. შუხარ-
ი). იბერიული წარმომავლობისადაა
ჩნეული თანამედროვე ესპანურსა და
რტუგალიურში გამოყოფილი ცალკეული
აინდოევრ. ძირები.
ლიტ.: S c h u c h a r d t H., Die ibe-
che Deklination, W., 1907.

**ბერიულ-კავკასიური ენათმეცნიე-
ება“,** საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიე-
ო ორგანო. გამოდის 1946-იდან. გამოცე-
ლია 21 ტომი (1979). იბეჭდება წერი-
ები თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიე-
ების, ქართველური (ქართ., ზანური,
ანური) და მთის იბერიულ-კავკ. (აფხ.-
ბიღ., ნახური, დაღ.) ენების ფონეტი-
ს, გრამატ. სტრუქტურის, ლექსიკისა
დიალექტოლოგიის საკითხებზე. ქვეყ-
ება როგორც აღწერითი, ისე ისტ.-შე-
რებითი ხასიათის გამოკვლევები.

**ბერიულ-კავკასიური ენათმეცნიე-
ების წელიწდეული“,** კავკასიისმცო-
ე ლინგვისტთა საკავშირო სამეცნიერო
ორგანო. გამოდის თბილისში 1974-იდან.
ლმძღვანელობს საქ. სსრ მეცნ. აკადე-
ა და სარედაქციო კოლეგია (მთავარი
დ. აკად. ა. ჩიქობავა). გამოიცა 5 ტო-
(1978). ჟურნალი ემყარება და ასახავს
ერიულ-კავკ. ენათმეცნ. პრინციპულ დე-
ულებებს, აშუქებს ლინგვისტური თეო-
ის, იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტური-
და ისტორიის, ენობრივი კონტაქტების
ვითხებს, აქვეყნებს რეცენზიებსა და
ბლიოგრაფიულ მიმოხილვას. ტირაჟი
500 ეგზემპლარი.

ბერიულ-კავკასიური ენები, მონა-
�ავე ენათა ოჯახი კავკასიის მიწა-
ალზე; ამჟამად 32 (უბიხურითურთ 33)
ობრივი ერთეულია. მათგან 12 სამწერ-
ობია, 20 უმწერლობო; აღინიშნება აგ-
�თვე ტერმინებით: კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი
ნ ე ბ ი, პ ა ლ ე ო კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი
ნ ე ბ ი (კ. ულენბეკი), ი ა ფ ე ტ უ რ ი
ნ ე ბ ი (ნ. მარი), ქ ა რ თ ულ-შ ა-
ო ზ ა ტ უ ლ ი ენ ე ბ ი (ივ. ჯავახი-
ილი). ი.-ჰ. ე. იყოფა 4 ჯგუფად: I. ქართველური (იბერიული — ფრ. ბოპი) ენები: 1. ქართული — ძველი მწერლობის (V ს-იდან) მქონე ერთადერთი ენა ი.-ჰ. ე-თა შორის, 2. ზანური (მეგრულ-ჭანური), 3. სვანური; II. აფხ.-ადიღ. ჯგუფის ენები: 4. აფხაზური (სამწერლობო), 5. აბაზური (სამწერლობო), 6. ადიღეური (ადიღეურ-ჩერქეზული, სამწერლობო), 7. ყაბარდოულ-ჩერქეზული (სამწერლობო), 8. უბიხური (1864 წლიდან — თურქეთში); III. ნახური ჯგუფის ენები: 9. ჩაჩნური (სამწერლობო), 10. ინგუშური (სამწერლობო), 11. ბაცბური; IV. დაღესტნის ი.-ჰ. ე. (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფისა): 12. ხუნძური (სამწერლობო), 13. ანდიური, 14. ბოთლიხურ-ღოდობერიული, 15. ახვახური, 16. კარატაული, 17. ბაგვალალურ-ტინდიური, 18. ჭამალალური, 19. დიდოურ-ჰინუხური, 20. ხვარშიული, 21. კაპუჭურ-ჰუნზიბური (ლაკურ-დარგული ქვეჯგუფისა), 22. ლაკური (სამწერლობო), 23. დარგუული (სამწერლობო), 24. ლეზგიური (სამწერლობო), 25. თაბასარანული (სამწერლობო), 26. აღულური, 27. რუთულური, 28. წახური, 29. არჩიბული, 30. უდიური, 31. ბუდუხური, 32. ხინალუღური, 33. კრიწული (სპეციალურ ლიტ-რაში ბოთლიხურ-ღოდობერიულში, ტინდიურ-ბაგვალალურში, კაპუჭურ-ჰუნზიბურსა და დიდოურ-ჰინუხურში შემავალი ერთეულები ცალკე ენებადაც მიიჩნიათ).

კავკ. მიწა-წყალზე წარმოდგენილია ინდოევრ. (სომხ., ოსური...), თურქ. წრის (აზერბ., ყუმუხური, ბალყარულ-ყარაჩაული...), სემიტური (არამეულ-სირიული) ენებიც. ი.-ჰ. ე. კავკ. არაინდოევრ., არასემიტური, არათურქული წრის ენებს წარმოადგენენ. ამ უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ნიშნის მიხედვით გამოყო კავკ. ეს ენები პირველად ფრ. მიულერმა (1864 წ.) როგორც გადმონაშთი ძვ. ენებისა, რ-ებიც ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის ფარგლებს იქითაც, სანამ აქ ინდოევრ. და სემიტური ენები გავრცელდებოდა.

ფრ. მიულერმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე რამდენსამე ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ნიშანს, რ-ებიც დამახასიათებელია ი.-ჰ. ე-თვის (ხმოვნებით ღარიბია, თანხმოვნებით მდიდარი; ხშულები „მაგრად“ გამოითქმის; თანხმოვნები თავს იყრის... აგლუტინაციის პრინციპი... სუფიქსაციის გვერდით პრეფიქსაცია... ფორმებით მდიდარია ზმნაც, სახელიც... ჩრდ.-კავკ. ენებში გაირჩევა „სქესები“ — „ცოცხალი“— „არაცოცხალი“, „გონიერი“ — „არაგონიერის“ გარჩევის საფუძველზე... ზმნის უღვლილებამ შეიძლება ობიექტიც აღნიშნოს ბასკურის მსგავსად... თვლის სისტემა — ზოგი ენის გამოკლებით ოცობითია...).

ი.-ჰ. ე-თა ისტ.-გენეზისური ერთიანობა პირველად პ. უსლარმა აღნიშნა (1864) გაკვრით, მაგრამ გარკვევით: კავკ. ენები ცალკე ოჯახს ქმნიანო; ამ ენებს „გასაოცარ სხვაობასთან ერთად“ „ღრმად ნათესაური ნიშნებიც“ მოეპოვებათო. ი.-ჰ. ე-თა ნათესაობას იკავდნენ ნ. მარი (1916), ი. ჯავახიშვილი (1937)... ამ ნათესაობას უარყოფდა ნ. ტრუბეცკოი (1924): ჩრდ.-კავკ. ენები ერთ ოჯახს ქმნიან, სამხრ.-კავკ. (ქართველური) ენები — მეორეს, კავკ. ენები — გეოგრ. ცნებას წარმოადგენსო. შემდეგ (1928) ნ. ტრუბეცკოიმ ჩრდ.-კავკ. ენები ორ ოჯახად მიიჩნია, ხოლო 1936 საერთოდ ენათა წარმოშობითი ნათესაობა დააყენა კითხვის ქვეშ (ინდოევრ. ენები ექვსი სტრუქტურული ნიშნით ერთიანდება და არა წარმოშობითო).

ამჟამად დიდი სხვაობა დასტურდება არა მხოლოდ ქართველურსა და მთის ი.-ჰ. ე-ს შორის, არამედ მთის ი.-ჰ. ე-თა სხვადასხვა ჯგუფებს შორის და არაიშვიათად ერთი ჯგუფის ენებს შორისაც: აფხაზურში სახელს ბრუნება არა აქვს, ზმნის მორფოლოგია კი ძალზე მდიდარია (კერძოდ, გამოხატავს პირს, კლასს, რიცხვს სუბიექტისას და ობიექტისას); ლეზგიურში ბრუნება მდიდარია (სახელს ოთხი ძირითადი ბრუნვის გარდა ლოკატიური ბრუნვათა წყება მოეპოვება), ზმნა კი არც პირებს განარჩევს, არც გრამატ. კლასებს, არც რიცხვში იცვლება...; აფხაზურისა და ლეზგიურის მორფოლოგია ორ პოლუსს ქმნის, მათ შორის თავსდება — სტრუქტურის მიხედვით — ყველა სხვა ი.-ჰ. ე — ადიღ. ენები, ქართველური, ნახური თუ დაღ.; ქართული, მაგ., თავისი მორფოლოგიით აფხაზურთანაც უფრო ახლოს არის და ლეზგიურთანაც, ვიდრე ეს ორი ჩრდ. კავკ. ენა—აფხაზური და ლეზგიური — ერთმანეთთან.

სხვაობას ი.-ჰ. ე-თა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ხშირად მიაწერენ ამ ენათა წარმოშობითს სხვადასხვაობას: განსაკუთრებით გახაზავენ, რომ ქართველურ ენებს გრამატ. კლას-კატეგორია არა აქვს, მთის კავკ. ენებისათვის კი ეს კატეგორია ნიშანდობლივია... სხვაობა ი.-ჰ. ე-ში პირველადია, საერთო მოვლენები დაახლოების შედეგია, კავკ. ენები „ენათა კავშირს“ წარმოადგენს. ენათა კონტაქტის შედეგად საერთო მოვლენები, რა თქმა უნდა, ჩნდება (როგორც სხვადასხვა წარმოშობის, ისე მონათესავე ენებში), მაგრამ „ენათა კავშირად“ არავის მიუჩნევია დაღ. ენები (მით უფრო — დაღ. ენების ლეზგიური ქვეჯგუფის ენები), რ-თა შორის ისეთივე არსებითი სტრუქტურული სხვაობა შეიმჩნევა, როგორიც, ვთქვათ, დაღ. და ქართველურ ენებს შორის დასტურდება.

ზოგიერთი ლეზგიური ენა (წახური, რუთულური, არჩიბული, ბუდუხური, კრიწული) განასხვავებს გრამატ. კლასებს, ზოგი (ლეზგიური, აღულური, უდიური)— არა. თაბასარანულ ენაში ერთ კილოს ეს კატეგორია დაუცავს, მეორეში იგი მოშლილია. ლეზგიურის, აღულურისა და უდიურის მკვლევრებმა (მ. ჰაჯიევმა, უ. მეილანოვამ, რ. შაუმიანმა, ა. მაჰმეტოვმა, ე. ჯეირანიშვილმა, გ. თოფურიამ) დაადასტურეს ამ ენებში გრამატ. კლას-კატეგორიის კვალი: ეს კატეგორია ყველა ლეზგიურ ენაში ყოფილა გარჩეული, სადაც არა გვაქვს, დაკარგულია; სხვაობა მეორეულია.

ზმნის უღვლილება გრამატ. კ ლ ა ს ე ბ ს განასხვავებს წახურულში, რუთულურში, არჩიბულში, ბუდუხურში, კრიწულში; პ ი რ ე ბ ს განასხვავებს უდიურში, კლასებსა და პირებს — თაბასარანულში; არც პირებსა და არც გრამატ. კლასებს ზმნა არ განასხვავებს ლეზგიურსა და აღულურში. ჯერ გრამატ. კლასი, მერე — კლასი და პირი, შემდეგ — მხოლოდ პირი ანდა უკლასო და უპირო ზმნა. ამგვარად, თანამედროვე ვითარება საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ისტ. პროცესი, რ-ის სხვადასხვა საფეხურიც წარმოდგენილია ამ ნაირსახეობებში.

მოვლენის ისტ. გათვალისწინება ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში ცხადყოფს, რომ ამოსავალში ერთგვაროვნობა გვქონდა იქ, სადაც ამჟამად ნაირგვაროვნობა დასტურდება. ის, რაც ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში გვაქვს, მიკროისტორიას წარმოადგენს. ი.-ჰ. ე-თა ისტორიას იმავე დასკვნამდე მივყავართ: წარსულში სიახლოვე გვქონდა იქ, სადაც ახლა სხვაობა გვაქვს. სტრუქტურული მსგავსება ნათესაობას ვერ ცხადყოფს, და პირიქით — სტრუქტურული სხვაობაც ნათესაობას არ გამორიცხავს. სტრუქტურულ მსგავსებას, თუ ის არსებითს მომენტს ეხება, შეუძლია ნათესაობის საკითხი დაგვასმევინოს.

ი.-ჰ. ე-თვის დამახასიათებელი ჩანს ისტორიულად: 1. ხმოვანთა მარტივი სისტემა და თანხმოვანთა რთული შემადგენლობა; 2. თანხმოვნებში: ფარინგალური და ლარინგალური სერია, ხშულთა სამეულებრივი სისტემა; 3. ფარინგალური



მ. იბლი. ოპერის თეატრი. 1875—84. ბუდაპეშტი.

და ლარინგალური სერია გამარტივების ტენდენციას იჩენს, წინა წარმოების ხმოვნების შედგენილობა რთულდება. ზოგ ენაში (უდიურში) სამეულის წევრი მკვეთრები სპეციფიკურობას კარგავენ (სხვა ენათა გავლენით); 4. მარტივი ფუძე (ძირეული მორფემა) ერთმარცვლიანია (დახურული); 5. სრულხმოვნობა ძველია, თანხმოვანთა თავყრა მეორეულია. მიზეზი: ინტენს. დინამიკური მახვილის მოქმედება, ჰარმონიული კომპლექსები; 6. სიტყვის აგებულების პრინციპი აგლუტინაციურია; 7. ზმნა და სახელი გარჩეულია, მაგრამ საერთო ფორმანტებიც შეიმჩნევა (ქართ.); 8. ზმნა სახელისგან მომდინარეობს (ნასახელარ ზმნათა სიჭარბე); 9. ზმნის მორფოლოგია სახელისაზე უფრო ძველია; ულვლილების ჩამოყალიბება უსწრებს ბრუნების ჩამოყალიბებას; 10. ძირითადი მორფოლ. კატეგორია — გრამატ. კლასები (პიროვნებისა: ვინ-კატეგორია და ნივთისა: რა-კატეგორია) — გაირჩეოდა სახელებში(არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი), ზმნაში, ნაზმნარ არსებით სახელებში (მასდარში), ნაზმნარ ზედსართავ სახელებში (მიმღეობებში), ზოგ ზმნისართში; ეს გრამატ. კატეგორია ზოგ ენას დაეკარგა სხვა ენების გავლენით (პერიფერიაზე); 11. კლასოვანი ულვლილება ყველაზე ძველია, კლასოვან-პიროვანი მისგან მოდის, პიროვანი ულვლილება მივიღეთ კლასოვან-პიროვანისაგან (სათანადო ენაში გრამ. კლასკატეგორიის დაკარგვის შემდეგ); 12. ბრუნვათა სისტემაში სპეციფიკურია ერგატივი (მოთხრობითი) და დამახასიათებელია აკუზატივის უქონლობა; 13. ატრიბუტულ სინტაგმას ისტორიულად პოსტპოზიციური წყობა ახასიათებდა; 14. პრედიკატულ სინტაგმათაგან სპეციფიკურია გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქცია.

ი.-კ. ე-თა ძირითად ლექსიკაში საერთო კუთვნილებას წარმოადგენს სიტყვები, რ-ებიც აღნიშნავენ: „გულს“, „მზეს“, „ენას“, ზოგ რიცხვით სახელს („ცალი“, „ტყუპი“), სათანადო ძირები საკუთრივ იბერიულ-კავკასიური ჩანს. ამჟამად „კავკასიისმცოდნეთა უმეტესობა ვარაუდობს იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა ჯგუფის თავდაპირველ წარმოშობითს ნათესაობას“ (Языки народов СССР, т. 4—Иберийско-кавказские языки, М., 1967, с. 7).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგნ. 2 — ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, О двух основных вопросах изучения иберийско-кавказских языков, «Вопросы языкознания», 1955, № 6; Б о к а р е в Е. А., К л и м о в Г. А., Иберийско-кавказские языки, წგნ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; М а р р Н. Я., Кавказоведение и абхазский язык, «Журнал Министерства народного просвещения», 1916, май; D e e t e r s G., Die kaukasischen Sprachen, წგნ.: Handbuch der Orientalistik, Bd. 7, Leiden—Köln, 1963; D i r r A., Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, Lpz., 1928; D u m é z i l G., Langues caucasiennes, წგნ.: M e i l l e t A., C o h e n M., Les langues du monde, 2 ed., P., 1952; S c h u c h a r d t H., Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen, W., 1895; T r o u b e t z k o y N. S., Langues caucasiques septentrionales, წგნ.: Les langues du monde, P., 1924. ჟურნალები და სერიები „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1—21, 1946—79; „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, 1—5, 1974—78; «Материалы по яфетическому языкознанию», П., 1—XII, 1910—25. *ა. ჩიქობავა.*

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 144.

იბიბიო, სამხრ.-აღმ. ნიგერიაში მცხოვრები ხალხი. მცირე ჯგუფები სახლობენ ქვეყნის სხვა რ-ნებშიც. რაოდ. ახლომონათესავე ხალხებთან ერთად 2 მლნ.

კაცზე მეტი (1970, შეფასება). ენა — იბიბიო. ეკუთვნის აღმ. ბანტოიდურ ჯგუფს. რელიგია — ბუნების ძალებისა და წინაპართა კულტები, ნაწილი ქრისტიანია. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება (იამსი, მანიჰოტი, ბატატი), ზეთოვანი პალმის ნაყოფის შეგროვება, სანაპირო ზოლში — თევზჭერა; საშოვარზეც დადიან.

იბიკონი, *გადამცემი სატელევიზიო ელექტრონმილაკი,* რ-ის გასვლის სიგნალი გაძლიერებულია აგზნებული გამტარობით. ი-ის ფოტოკათოდი სინათლის ზეგავლენით გამოასხივებს ფოტოელექტრონებს; რ-ებიც ელექტრულ ველში აჩქარდებიან და სამიზნის (ანოდის) ზედაპირს ეცემიან. ფოტოკათოდის მხრიდან ზედაპირს ალუმინის თხელი ფურჩით დაფარული დიელექტრიკის აფსკი აქვს. აფსკში გამავალი ელექტრონები მკვეთრად (ზოგიერთ ნივთიერებაში 1000-ჯერ და მეტად) ზრდიან მის ელექტროგამტარობას (რ-იც ელექტრონების რიცხვის პროპორციულია). ამ მოვლენას აგზნებულ გამტარობას უწოდებენ. მეორე მხრიდან დიელექტრიკის აფსკი თანაბარ პოტენციალამდე იმუხტება ელექტრონული სხივით, რ-იც შლის სატელევიზიო გამოსახულებას. დიელექტრიკის აფსკში აგზნებული გამტარობის გამო მუხტები ი-ის გასვლის ელექტროდთან შეერთებულ ალუმინის ფურჩზე ჩამოედინება. ი-ს შეუძლია იმუშაოს მცირე განათებულობის დროსაც. იყენებენ სხვადასხვა სატელევიზიო აპარატურაში.

იბინი, ს ი უ ჯ ო უ, ქალაქი ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში, მდ. იანძის მარცხ. ნაპირზე, მდ. მინძიანის შესართავთან. 720 ათ. მცხ. (1970). სამღ. ნავსადგური და დიდი სარკინიგზო კვანძი. მეტალ., ქიმ., მანქანათსაშ., ქაღალდის, საფეიქრო, ტყავის, კვების (უმთავრესად ღვინის) მრეწველობა.

იბლი (Ybl) მიკლოშ (6. IV. 1814, სეკეშფეჰერვარი, — 22. I. 1891, ბუდაპეშტი), უნგრელი არქიტექტორი. სწავლობდა ვენის პოლიტექ. ინ-ტში (1831) და მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში (1840-იანი წწ. დასაწყისი). ნამუშევრები: კაროიის სასახლე (1863), საბაჟო (1870—74), ოპერის თეატრი (1875—84), ბაზილიკა (1867—91), სამეფო სასახლის დას. ფრთა (1880—91) — ყველა ბუდაპეშტში. ეკლესია, მღვდლის სახლი და სკოლა ფოტში (1845—55). ი-ის აგებულმა ნეორენესანსისა და ნეობაროკოს სტილის შენობებმა განსაზღვრა უნგრ. დედაქალაქის ცენტრის სახე.

იბნ (არაბ. — ძე, ვაჟიშვილი), ნაწილაკი საკუთარ სახელში. არაბ. ენაში წინ დაერთვის მამის სახელს და ნიშნავს ქართ. ძე-ს. მაგ., აბუ ალი იბნ სინა, ალი იბნ ჯაფარ.

იბნ აბდ რაბიჰი აბუ უმარ აჰმად იბნ მუჰამად (29. XI. 860, კორდოვა, — 3. III. 940, იქვე), არაბი პოეტი და პროზაიკოსი. ესპ.-არაბული ლიტ-რის .პირველი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. ცხოვრობდა კორდოვაში, სადაც მიიღო საფუძვლიანი განათლება (ლიტ., ისტ., მუსლ. სამართ., მედ., მუსიკის დარგში). ალსაალიბის ანთოლოგიის („საუკუნის იშვიათი წიგნი თანამედროვე პოეტთა შესახებ“) წყალობით მოღწეულია ი-ის მდიდარი შემოქმედების მცირე ნაწილი, ძირითადად, სახოტბო, ანაკრეონტული და მოგვიანო წლების მორალურ-რელიგ. ლექსები. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა კრებულმა „იშვიათი ყელსაბამი“, რ-იც მხატვრული და სამეცნ. პროზის მიჯნაზე დგას. ი. ტიპური წარმომადგენელია ანდალუსიური ლიტ-რის ე. წ. მიმბაძველობის პერიოდისა, რ-საც ნოვატორული ტალღა არ შეეხებია.

იბნ ალ-არაბი აბუ აბდ ალ-ლაჰ (7. VIII. 1165, მურსია, ესპანეთი, — 16. XI. 1240, დამასკი), არაბი პოეტი და მოაზროვნე; ანდალუსიის (ესპანეთი) არაბ. პოეზიის წარმომადგენელი. განსწავლული იყო მუსლ. ღვთისმეტყველებასა და სამართალში. ბავშვობიდანვე ტრიალებდა სუფიურ წრეებში (მისი მამის მეგობარი იყო ცნობილი არაბი ფილოსოფოსი ი. რუშდი), შემოიარა მუსლ. აღმ. ქვეყნები (ერაყი, სირია, მცირე აზია). ავტორი მრავალი პოეტური ნაწარმოებისა. სახელი გაუთქვა თხზულებამ „მექის ხილვანი“, რ-შიც გადმოცემულია სუფიური ფილოსოფიის პრინციპები. ავტორია ლექსად დაწერილი თხზულებისა „სიყვარულის ენებაზე განმმარტებელი“. ყურანის დოგმების თავისუფალი ინტერპრეტაციის გამო არაერთხელ დასწამეს ერესი. მისი გავლენა გრძელდა სუფიზმის ყველა წარმომადგენელზე მა არაბ. და სპარს. ლიტ-რაში.

იბნ ალ-ასირი იზ-ალ-დინ აბუ ლ-ჰასანი (12. V. 1160, ჯაზირათ-იბნ-უმარი, — 1234, მოსული), არაბი ისტორიკოსი. მისი მთავარი ნაშრომია „სრული ისტორია“ 12 ტომად. შრომის I ნაწილში (საყაროს შექმნიდან 922/923-მდე) მოთხრობილია ტაბარის „ისტორია“ შემოკლებული (ჩართულია დამატებითი წყაროები). ნაწილი (1231-მდე) ორიგინ. ნაწარმოებია; მასში დაცულია მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს შესახებ. ი-ს ეკუთვნის აგრეთვე მაჰმადის თანამოაზრეთა ბიოგრ. ლექსიკონი და მოსულის ათაბაგების ისტორია.

ლიტ.: მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ი., არაბ. სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები საქართველოს შესახებ «ძველმბე», 1897, № 12; 1898, № 1; Ж у к П. К., Материалы по истории Азербайджана из Тарих ал-Камиль Ибн ал-Асир, Баку, 1940.

იბნ ალ-ბალხი, XII ს. ირანელი ისტორიკოსი, ზუსტი სახელი უცნობია. წარმოშობით ბალხელი. „ფარსნამეს“ ავტორი. წიგნში გადმოცემულია ჩვენამდე მოსულ ულწეველი პირველწყაროების საფუძველზე შედგენილი ფარსის ისტორია, აგრეთვე XII ს. დასაწყ. ფარსის დაწერილებითი გეოგრ. აღწერილობა. თხზულება უმდიდრესი მასალას შეიცავს ფარსის ირიგაციის, მოსახლეობის წათმოქმედებისა და ქალაქების მდგომარეობის შესახებ. მასალის დიდი ნაწილი ავტორის დროინდელია.

თხზ.: The Farsnama, ed. by G. Strange and R. A. Nicholson, L., 1921.

ლიტ.: История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958; С т о р и Ч.-А., Персидская литература. Библиографический обзор, пер. с англ., ч. 1, М., 1972. *დ. კაციტაძე.*

იბნ ალ-მუთაზი აბუ ლ-აბას აბდ ალ-ლაჰ (861, სამარა, — 29. XII. 908, იქვე), არაბი პოეტი და ფილოლოგი. ხალიფა ალ-მუთაზის (866—869) ვაჟი. თავადობა ხალიფა გახდა, მაგრამ მხოლოდ ერთ დღით. ვაზიერების მეორე დღეს ტახტიდან ჩამოაგდეს და სიკვდილით დასაჯეს. მ. ღებული ჰქონდა კარგი ფილოლ. განათლება. მისი პოეტური შემოქმედება ტრადიციულია და ე. წ. „განახლების“ ლიტ-რის ოსტატური სინთეზია. გარდა ლირ. ლექსებისა, ლ-თა საუკეთესო ნაწილი აღწერის ჟანრში (ვასფი) განეკუთვნება, შექმნა ხალიფა ალ-მუთადიდის (მისი ბიძაშვილი) ცხოვრებისადმი მიძღვნილი ეპიკური პოემა — კლასიკური არაბ. პოეზიისათვის საკმაოდ უჩვეულო სახეობა. ავტორია რამდენიმე ანთოლოგიისა, ეპისტოლეებისა და სხვ. გამოჩენილი ფილოლოგის სახელი მოუპოვა ტრაქტატმა „წიგნი ახლისა“, რ-შიც განხილულია სტილისტიკის, პოეტიკის ფონეტ., რიტორიკის და სხვ. საკითხები.

იბნ ალ-მუკაფა (ისლამის მიღებამდე როზბეჰ იბნ დადოე) აბუ მუჰამად აბდ ალ-ლაჰ (720, სოფ. ჯური, ახლანდ. ფირუზაბადი, — 756, ბასრა), არაბი მწერალი. წარმოშობით სპარსელი. აღიზარდა სპარს. კულტ. და ზოროასტრიზმის ტრადიციებზე. სამწერლო მოღვაწეობა და

ყო ბასრაში, იმდროინდელ მნიშვნელოვან ულტ. და სამეცნ. ცენტრში. ხელისუფ-ების სათავეში აბასიანთა მოსვლის ემდეგ მიიღო ისლამი. პოლიტ. და პი-ხადული მტრობით ზინდიკობა (ერესი ისლამში) დასწამეს. წამებით მოკლეს.]-ს ეკუთვნის მრავალი ორიგინ. და თარგ-ნილი ნაწარმოები. ფალაურიდან (სშ. ასარს. ენა) თარგმნა ინდ. იგავების ცნო-ილი კრებ. „ქილილა და დამანა", მისე-ული თარგმანი დაედო საფუძვლად მსოფ-ლიო ენებზე, მ. შ. სპარს. ენაზე (ფალა-ური დედანი დაიკარგა) ამ ნაწარმოების ითარგმანს. ი-მ შეთხზა და დაუმატა თარ-გმანს წინასიტყვაობა ბარზუეს (ძეგლის ინდურიდან ფალაურად მთარგმნელის) ბიოგრაფიით, თავები „დიმნას განკითხვა" და „ღვთისმოსავი და სტუმარი". მასვე ეკუ-თვნის „ხვატაინამაკის" („შაჰნამეს" წყა-რო) არაბ. თარგმანი. ავტორია დიდაქტ. ტრაქტატებისა: „დიდი დარიგებანი", „მცირე დარიგებანი". მისი ეპისტოლე „მიმდევართა შესახებ" ხალიფა ალ-მან-სურის წინააღმდეგ მიმართული პოლიტ. სამფლეტია. ი-ს თხზულებათა დედა-ნზრია საზ. წყობილების სრულყოფა რე-ფორმათა გზით. მის ნაწარმოებებში შეიმ-ჩნევა ინდ., სპარს. და ბერძნ. კულტურის ეავლენა. ი-ს შემოქმედებამ ღრმა კვალი დაჩნია აღმოსავლურ აზროვნებას, საზ. წყობას, ლიტ-რას. ზედმიწევნით დახვე-წილი სტილის გამო მას არაბ. ენის დიდ ოეტად თვლიან.

თარგმ.: Калила и Димна, пер. И. Ю. Крачковского и И. П. Кузьмина, предисл. Е. Э. Бертельса, М., 1957.

ლიტ.: Аль-Фахури Х., История арабской литературы, т. 1, М., 1959.

მ. ნედოსპასოვა.

ІБН АЛ-РУМІ აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ალ-ბას იბნ ჯურაიჯ (21. VI. 835, ბაღდა-დი, — 14. VI. 896, იქვე), არაბი პოეტი. ამა ბერძენი ჰყავდა, დედა — სპარსელი. განსწავლული იყო ბერძნ. ფილოსოფიაში, მათემატიკაში, მუსლ. ღვთისმეტყველე-ბაში. ცნობილი იყო თავისი პესიმიზმით. დიდებულებთან ცუდი დამოკიდებულება ქონდა. ხალიფა ალ-მუთადიდმა მოაკვლე-ინა. ი-ს პოეტურ დივანში გამოირჩევა სა-ტირული ეპიგრამები (არაბ. ლიტ-რის ის-ტორიაში იგი საუკეთესო სატირიკოსადაა აღიჩნეული) და ვასფის (აღწერითი) ჟანრის ლექსები, რ-თაგან განსაკუთრებით შთამბე-ჭდავია ბუნების ამსახველი სურათები. ი-ს ოეზიისათვის დამახასიათებელია აზრის ათელი, ზუსტი გადმოცემა, რისთვისაც არ რიდებოდა *კასიდის* ზოგი დამახასიათე-ელი წესის (მაგ., ბაითის შინაარსობ-ივი იზოლაცია) დარღვევას. ი-ს სა-ტრფიალო ლირიკა (ლაზალები) გამო-ირჩევა ჭარბი მგრძნობელობით. ცნობი-ლია მისი მაღალმხატვრული პროზაული პისტოლეები.

ІБН АЛ-ХАТИБІ მუჰამად ლისან-ად-დინ (1313—1374), ესპანელი არაბი სწავ-ლული, პოეტი, ისტორიკოსი, სახელმწ. ოღვაწე. დაიბადა გრანადის ამირებთან დაახლოებულ ოჯახში. ეკავა მაღალი ადმ. თანამდებობები გრანადისა და ფესის მმარ-თველების დროს. ავტორია დაახლ. 60-ზდე ისტ., გეოგრ., ფილოს., სამედ. და ლიტ. ნაშრომისა. თხზ. „გრანადის სრუ-ული ისტორია" და ნაშრომი ანდალუსიის ალაქების, მეცნიერებისა და ბიბლიოთე-ების შესახებ მუსლ. ესპანეთის ისტ. მნიშვ-ნელოვანი წყაროა. ი-ს ეკუთვნის ლიტ. ნაწარმოებები (დაწერილი გარითმული პროზით) და ლექსები. მას „გრანადის ეკანასკნელ პოეტს" უწოდებენ.

ІБН АЛ-ХАИСАМІ (965, ბასრა, — 1039), არაბი მეცნიერი. ახალგაზრდობაშივე გა-ემგზავრა ეგვიპტეში (კაიროში), სადაც ხა-ლიფა ალ-ფატიმას ემსახურებოდა. მას ეკუთვნის მრავალი შრომა ფიზ., მათ., ასტრ. და ფილოს. დარგში. განსაკუთრე-ბით საინტერესოა მისი შრომა ოპტიკაში, რ-იც პირველად 1572 გამოქვეყნდა (ლათ. ენაზე). ეს შრომა ყველაზე სრულად გად-მოსცემს იმდროინდელი ოპტ. საკითხებს. განსაკუთრებით საინტერესოა მონაცემები თვალის აგებულების შესახებ, რ-ებიც უახლოვდება თანამედროვე წარმოდგენას. მასში გამოთქმულია აგრეთვე სინათლის გავრცელების სიჩქარის სასრულობის ჰი-პოთეზა. მის „ოპტიკაში" მოცემულია კა-მერა-ობსკურას ერთ-ერთი ყველაზე ად-რინდ. აღწერა.

ІБН АРАБ-ШАХІ (1389, დამასკი, — 1450, კაირო), არაბი მწერალი. 1400 *თემურ-ლენგმა* დაატყვევა და სამარყანდში გადა-ასახლა. იქ შეისწავლა სპარს., თურქ. და მონღ. ენები. 1408/9 იმოგზაურა მონღო-ლეთში, ხვარაზმში, ვოლგისპირეთში, დამთში, ყირიმსა და ედირნეში. დაწერა შრომა „ქითაბ აჯაიბ ალ-მაქდურ ფი ახ-ბარ თიმურ" („ბედის საკვირველებანი თემურის ისტორიაში"), რ-შიც აღწერს თემურლენგის ლაშქრობებს საქართველოში 1400 და 1403, დამპყრობლის მუზა-ნათობას, ქართველთა თავდადებულ ბრძო-ლას, მეფე გიორგი VII-ის თხოვნით შირ-ვან-შაჰ იბრაჰიმის თემურთან შუამავლო-ბის ამბავს და ამით მიღწეულ დაზავებას.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV—XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძო-ლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.

ბ. სილაგაძე.

ІБН АЗАЖІРІ ალი იბნ ალ-ჰასან (1105, დამასკი, — 25. I. 1176, იქვე), არაბი ის-ტორიკოსი. „დამასკის ისტორიის" (80 ტომად) ავტორი. წიგნი წარმოადგენს დამასკთან დაკავშირებულ გამოჩენილ ადა-მიანთა ბიოგრაფიების კრებულს, შეიცავს მრავალ ძვირფას ცნობას ამ ქალაქისა და საერთოდ სირიის ისტორიის შესახებ.

ІБН БАТУТА აბუ აბდ ალ-ლაჰ მუჰამად იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-ლავატი ალ-ტანჯი (24. II. 1304, ტანჟერი, — 1377, ფესი), არაბი მოგზაური, ვაჭარი. 1325 მაროკოდან გაემგზავრა ჰაჯის შესასრულებ-ლად (სალოცავად); იმოგზაურა ეგვიპტეში, არაბეთში, ირანში, მესოპოტამიაში, სირიაში, მცირე აზიაში, ყირიმსა და რუს. სამხრ. ნაწილში (მიაღწია ვოლგამდე), შუა აზიაში, ავღანეთში, ინდოეთში, ინდონეზი-ასა და ჩინეთში. 1349 დაბრუნდა მაროკოში. დაახლ. 1349 და 1352 შორის იყო მუსლ. ესპანეთში, 1352—53—დას. და ცენტრ. სუ-დანში. საინტერესოა ი. ბ-ს ჩანაწერები ოქროს ურდოს შესახებ; იგი შეიცავს ეკონ., ეთნოგრ. და კულტ.-საყოფაცხოვრე-ბო ხასიათის უამრავ ცნობას. ი. ბ-მ დაწვ-რილებით აღწერა კონსტანტინოპოლი, სა-დაც თან ახლდა ბერძენთა მეფის ასულს უზბეკის ცოლს. აღწერა ინდოეთი, ირანი ჰულაგუიანების დროს. ი. ბ-მ პირველმა მოგვცა დაწვრილებითი ცნობები მალის სახელმწიფოსა და მისი მომიჯნავე ოლქე-ბის შესახებ.

ІБН ГАБІРОЛІ შელომო ბენ იეჰუდა [არაბ. აბუ აიუბ სულაიმან იბნ იაჰია იბნ ჯებიროლი; ლათინიზებული ავიცებრო-ნი (Avicebron, Avencebrol, Avicebrol)] (დაახლ. 1021, მალაგა, — 1055 ან 1070, ვალენსია), ებრაელი პოეტი და ფილოსო-ფოსი. ცხოვრების უმეტესი ნაწილი გა-ატარა სარაგოსაში (ესპანეთი). ავტორია ჰიმნების, ლოცვებისა და ელეგიებისა. ებრ. პოეზიაში ერთ-ერთმა პირველმა შეჰოი-ღო მკაცრად განსაზღვრული მეტრული ლექსთწყობა. დიდი აღიარება მოუტანა რელიგ.-ფილოს. ჰიმნმა „გვირგვინი ხელ-მწიფობისა", რ-შიც ბიბლიის ენით პოე-ტურად არის ჩამოყალიბებული ი. ბ-ის მთელი მოძღვრება შემოქმედის არსზე, ღვთაებრივ ნებასა და სამყაროს რაობა-ზე. ისევე როგორც ლიტურგიკული პოე-ზია, ი. ბ-ის საერო პოეზიაც პესიმისტუ-რია. თავის ფიქრებს, გრძნობებს ძლიერი, ნათელი, ამაღლებული სახეებით გადმოს-ცემდა. ხატავდა ბუნების გრანდიოზულ სურათებს. ი. ბ-ის ლექსმა, რ-იც უაღრესი სიმსუბუქითა და დახვეწილობით ხასიათ-დება, დიდი აღიარება ჰპოვა თანამედრო-ვე და მომდევნო ეპოქის პოეტებს შორის. *ალ-ხარიზი*, იეჰუდა *ჰალევი* და სხვ. მას თავიანთ დიდ მასწავლებლად მიიჩნევ-დნენ.

ი. ბ. ეზიარა აღმოსავლურ ნეოპლატო-ნიზმს და თავის მსოფლმხედველობაში გამოამყენა „აშკარა მიდრეკილება ნეო-პლატონური პანთეიზმისაკენ. არაბ. ენაზე შეთხზული მისი ფილოს. ტრაქტატი „ფუ-ძე ცხოვრებისა" მოღწეულია შუა საუკუ-ნეებში ფართოდ ცნობილი ლათ. თარგ-მანის სახით („Fons vitae"). ი. ბ-ის ფი-ლოს. იდეები ფორმისა და მატერიის შე-პირისპირებისას მატერიის უპირატესი ღვთაებრიობისა და ამდენად, მისი ღმერთ-თან სიახლოვის შესახებ შემდგომში გაი-ზიარეს ჯ. ბრუნომ, ბ. სპინოზამ და სხვ. ი. ბ-ის თხზულებები თარგმნილია მსოფ-ლიოს მრავალ ენაზე. მისი პოეზიის ზო-გიერთი ნიმუში გამოქვეყნებულია ქართუ-ლადაც.

თხზ.: [წიგნში] შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

ნ. ბაბალიკაშვილი.

ІБН ЕЗРА აბრაჰამ ბენ მეირ (1092, ტო-ლედო, — 1167, რომი), ებრაელი პოეტი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი. წერდა ძი-რითადად ებრაულად. დაახლ. 1140-მდე ცხოვრობდა ესპანეთში. სახელი გაითქვა ლირ.-ფილოს. ლექსებით. მსოფლმხედვე-ლობით ახლოს დგას ნეოპლატონიზმთან. მეგობრობის, სიყვარულის, ბოლოვის თე-მაზე დაწერილი მისი რეალისტური ლექ-სები გამოირჩევა ფსიქოლ. სიღრმით. ი. ე-ს ყველაზე მნიშვნელოვანი თხზუ-ლებაა „ხაი ბენ მაკიცი" — გარითმული პროზით დაწერილი ალეგორიული ნა-წარმოები, რ-იც მოგვითხრობს საკუთარი თავის შეცნობის მიზნით ავტორისა და მისი მეგზურის ხაი ბენ მაკიცის სამყაროს ცხრა წრეზე მოგზაურობის ამბავს. ბიბ-ლიის ღრმა ფილოლ. ანალიზზე დამყა-რებული ორიგინ. კომენტარები ი. ე-ს ბიბლ. კრიტ. ფუძემდებელთა რიგებში აყენებს. ავტორია მნიშვნელოვანი შრო-მებისა გრამატ., მათ. და ასტრონ. დარგში. საფუძველი ჩაუყარა სამეცნ. ლიტ-რის თარგმნას არაბ. ენიდან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვეფხისტყაოსანში მოხ-სენიებული „ეზროს" სახელდობრ ეს ი. ე. უნდა იყოს. მისი ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, მ. შ. ქართულადაც.

თხზ.: [წიგნში] შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

ნ. ბაბალიკაშვილი.

ІБН ЕЗРА მოშე ბენ იაკოვ (1055, გრა-ნადა, — 1135/40), ებრაელი პოეტი, ფი-ლოლოგი. ცხოვრობდა ესპანეთში. წერ-და ებრ. და არაბ. ენებზე. ი. ე-ს ახალგა-ზრდობისდროინდელი ლექსები (პეიზა-ჟური, სატრფიალო და ე. წ. ღვინის თე-მაზე) გამთშარია ღრმა ლირიზმით. მოგ-ვიანო ხანის პესიმისტური ოდები ამქვეყ-ნიური ცხოვრების ამაოებაზე და სამგ-ლოვიარო ელეგიები (კრებ. „თარშიში" ანუ 1200 სტრიქონი) გამოირჩევა დახვე-წილი სტილით, სრულყოფილი ფორმით. ი. ე-ს მიერ არაბ. ენაზე დაწერილი ლიტ-რის ისტორია „საუბრებისა და მოგონებე-ბის წიგნი" დღესაც ინარჩუნებს მეცნ. ღირებულებას ბიბლიის ტექსტებისა და ესპანეთის ებრ. ლიტ-რის კვლევისათვის. ვარაუდობენ, რომ ვეფხისტყაოსანში მო-ხსენიებული „ეზროს" არის ი. ე. მისი ლექ-სები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, მ. შ. ქართულადაც.

თხზ.: [წიგნში] შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

ნ. ბაბალიკაშვილი.

ІБН ЗАИДУНІ აბუ ლ-ვალიდ იბნ აბდ ალ-ლაჰ იბნ აჰმად იბნ ღალიბ ალ-მახზუ-მი (1003, კორდოვა,—1071, სევილია), ეს-პანეთის არაბული ლიტ-რის წარმომადგე-ნელი, სახელმწ. მოღვაწე. ცნობილია ომა-იანთა ხალიფა ალ-მუსთაქფის ასულის, პო-

ა. იბნ რუშდი.

იბნ სინა. ვ. ვისოცკის ნახატი.

ეტი ქალის ვალადასადმი ტრფიალით, რაც აისახა მისდამი მიძღვნილ სატრფიალო ლექსებში. ეკუთვნის აგრეთვე დახვეწილი სახოტბო კასიდები და სატირული ეპისტოლე იბნ აბდუსისადმი.

იბნ იამინი ამირ მაჰმუდ იბნ ამირ იამინ ალ-დინ თუღრაი (1286, ფარიუმადი, საბზევარის მახლობლად, — 1368), პოეტი, სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის წარმომადგენელი. მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო დიდი მოხელისა და კარის პოეტის თანამდებობა, მაგრამ მიატოვა სამეფო კარი და მიემხრო *სარბედართა აჯანყებას*. კიტას ჟანრის ლაკონიურ, დახვეწილ ლექსებში ქადაგებდა პიროვნების შინაგან თავისუფლებას, ასკეტურ სუფიზმს დაუპირისპირა თავისი შეხედულება ცხოვრებაზე, რ-საც „რინდების მოძღვრებას“ უწოდებდა.

ლიტ.: Хекмат А.-Р., Рассказ о персидском поэте. Жизнь и творчество Ибн Йамина, М., 1965.

იბნ ისპაკი აბუ აბდ ალ-ლაჰ მუჰამად (704, მედინა, — 767 ან 768, ბაღდადი), არაბი ისტორიკოსი, *მაჰმადის* ერთ-ერთი ადრინდ. ბიოგრაფიის ავტორი. ცნობილია ამ თხზულების იბნ ჰიშამისეული (გ. 833 ან 834) რედაქცია „ალაჰის მოციქულის ცხოვრების წიგნის“ სახელწოდებით. მიუხედავად ლეგენდებისა და გამონაგონი პოეტური ციტატების სიმრავლისა, წიგნი ადრინდ. ისლამის ისტორიის ძვირფასი წყაროა.

იბნ კუზმანი აბუ ბაქრ (დაახლ. 1080—1160, კორდოვა), არაბი პოეტი, ანდალუსიური (ესპანეთი) არაბ. პოეზიის წარმომადგენელი. დაუფლებული იყო ძვ. კლასიკურ დისციპლინებს. თავისი ლექსების დივანში წარმოგვიდგება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანად. თავს ესხმოდა ისლამის დოგმებს, რის გამოც არაერთხელ დაისაჯა. ითვლება პოეზიის ახ. ჟანრის — *ზაჯალის* ერთ-ერთ ფუძემდებლად. ი. კ-ის ზაჯალები სახოტბო და სატრფიალო ხასიათისაა. დასცინის „უზრაულ“ (სულიერ) სიყვარულს და ადიდებს ეროტიკულს, არ ერიდება პორნოგრაფიასაც. ი. კ-ის პოეზიაში უკვე აღარ ჩანს ძვ. არაბ. სამყარო (აქლემი, უდაბნო და სხვ.), გაჩნდა ახ. სახეები და თემები. ი. კ-ის შემოქმედებას გენეტიკური კავშირი აქვს ძვ. რომანულ პოეზიასთან. მის ლექსებში რომანული, ბერბერული და კიდევ რაღაც უცნობი (მკვლევართა ვარაუდით, ძვ. პორტუგ. ლირიკის) ელემენტებია. მან დიდი როლი ითამაშა ანდალუსიური პოეზიის განვითარებაში. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა ადრეულ პროვანსულ, აქედან კი — მთელ ევრ. პოეზიაზე.

ი. კ-ის შემოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ლიტერისათვის დას. და აღმ. კულტურების ურთიერთკავშირისა და გავლენის თვალსაზრისით.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Арабская поэзия в Испании, Избр. соч., т. 2, М.—Л., 1956; Куделин А. Б., Арабо-испанская строфика как «смешанная поэтическая система», კრ.: Типология и взаимосвязи средневековых литератур Востока и Запада, М., 1974; Nykl A. R., Hispano-Arabic poetry and its relations with the old Provençal troubadours, Balt., 1946.

ლ. რუხაძე.

იბნ კუთაიბა აბუ მუჰამად აბდ ალ-ლაჰ იბნ მუსლიმ ალ-დინავარი (828, ბაღდადი, — 889, იქვე), არაბი ფილოლოგი და მწერალი. ცხოვრობდა ქუფაში, ერთხანს დინავარშიც. დიდად განსწავლული იყო ისლამის დისციპლინებში, სამართალში, გრამატიკაში, ლიტ-რასა და ისტორიაში. მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რ-თა შორის აღსანიშნავია ტრაქტატი „მწერლის ხელოვნება“, ბიოგრ. ლექსიკონი „პოეზია და პოეტები“ და სხვ., შეიცავს ფილოლ.-ისტ. ხასიათის მეტად მნიშვნელოვან ცნობებს, მ. შ. ისლამამდელი პოეტების ნაწარმოებებს. განსაკუთრებით ცნობილია მისი „ამბავთა წყაროები“, რ-იც შეიცავს როგორც ლიტ. გამოკვლევებს, ისე მხატვრულ პროზას.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 2, М.—Л., 1956; Brockelmann C., Geschichte der arabischen Literatur, 2. Aufl., Bd.1, Leiden, 1943; Suppl.-Bd. 1, Leiden, 1937.

იბნ მაჯიდი შიჰაბ ალ-დინ აჰმად, არაბი ლოცმანი და ზღვაოსნობის თეორეტიკოსი. დაიბადა ნავიგატორთა ოჯახში. ცხოვრობდა XV ს. II ნახევარში. 1498 ვასკო და გამას გემები აფრ. აღმ. სანაპიროდან კალიკუტამდე მიიყვანა. დაწერა 40-მდე შრომა (ბევრი მათგანი ლექსად), რ-ებშიც სრულადაა გადმოცემული არაბთა საზღვ. საქმის თეორ. და პრაქტ. საკითხები. მათში აღწერილია მარშრუტები, რ-ებითაც არაბ მეზღვაურებს დაჰყავდათ გემები ზანზიბარიდან და მადაგასკარიდან ტაივანამდე და ინდონეზ. შორეულ კ-ებამდე. ი. მ-ისა და სხვა არაბი მეზღვაურების გამოცდილებამ დიდად შეუწყო ხელი ევრ. ნაოსნობის განვითარებას ინდ. ოკეანეში.

იბნ მისქავაიჰი აბუ ალი აჰმად იბნ მუჰამად (დ. წ. უცნობია — გ. 1030), არაბულენოვანი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. ავტორია „ხალხთა გამოცდილებების წიგნისა“, რ-იც *ალ-ტაბარის* თხზულებების შემდეგ პირველი მნიშვნელოვანი შრომაა მსოფლიო ისტორიაში. შეადგინა ტრაქტატები ფილოსოფიასა და ეთიკაში.

იბნ რუსთა აბუ ალი აჰმად იბნ უმარ (IX ს. II ნახ. — X ს. I ნახ.), არაბულენოვანი სწავლული, ენციკლოპედისტი. წარმოშობით სპარსელი. ავტორია „ძვირფასი ყელსაბამების წიგნისა“, რ-ის მხოლოდ მე-7 ტომმა მოაღწია ჩვენამდე. მასში დაცულია საყურადღებო ცნობები შუა საუკ. ახლო და შუა აღმოსავლეთის, აღმ. ევროპის, ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ.

ლიტ.: Крачковский И. Ю., Избр. соч., т. 4, М.—Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1903, в. 32.

იბნ რუშდი აბუ ლ-ვალიდ მუჰამად იბნ აჰმად (ლათინიზებული ა ვ ე რ ო ე ს ი) (1126, კორდოვა, — 1198, მარაკეში, მაროკო), არაბი ფილოსოფოსი' და ექიმი; აღმოსავლური არისტოტელიზმის უკანასკნელი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ფილოს. თხზ. უმრავლესობა წარმოადგენს არისტოტელეს კომენტარებს. მიიღო კომენტატორის საპატიო ტიტული. ასაბუთებდა გონების უპირატესობას შემეცნებაში. ფილოსოფიას იცავდა თეოლოგების თავდასხმისაგან. ი. რ. ერთმანეთისაგან განასხვავებდა მხოლოდ ერთეულთათვის ხელმისაწვდომ რაციონალურ და ყველასათვის ხელმისაწვდომ ხატოვან-ალეგორიულ რელიგიებს, რამაც შემდგომში დიდი როლი ითამაშა *ორმაგი ჭეშმარიტების* თეორიის დაფუძნებაში. ავითარებდა არისტოტელიზმის რაციონალისტურ და მატერიალ. ტენდენციებს. ი. რ. ავტორია ენციკლოპედიური ხასიათის სამედ. ნაშრომისა — „ქითაბ ალ-ქულიათი“ (ზოგადი სახელმძღვანელო მედიცინაში, 7 წიგნად). ევრ. ლიტ-რაში ეს ნაშრომი „Colliget“-ის სახელწოდებითაა ცნობილი. ი. რ-ის მატერიალ. და რაციონალისტურმა შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკ. ფილოსოფიაზე. იხ. აგრეთვე სტ. *ავეროიზმი.*

თხზ.: [წიგნში] Избр. произв. мыслителей стран Ближнего и Среднего Востока IX—XIV вв., М., 1961.

ლიტ.: Лей Г., Очерк истории средневекового материализма, пер. с нем., М., 1962.

იბნ საუდი აბდ ალ-აზიზ (24. XI. 1880, ელ-რიადი, — 9. XI. 1953, ტაიფი), საუდის არაბეთის მეფე 1932-იდან. 1924 — 25 დაიპყრო ჰიჯაზი. ვაჰაბიტების რელიგ. მეთაური. 1902—27—ნაჯდის ამირა. 1927-იდან ჰიჯაზის, ნაჯდისა და შემოერთებული ოლქების (1932-იდან—საუდის არაბეთი) მეფე.

იბნ სინა, აბუ ალი იბნ სინა (ლათინიზებული—ა ვ ი ც ე ნ ა) (980 სოფ. აფშანა, ბუხარის მახლობლად, — 18. VI. 1037, ჰამადანი), ფილოსოფოსი, ექიმი და პოეტი. მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში. ისლამის რელიგიის ჩარჩოებში შეძლო ანტ. ფილოს. და მეცნ. კრიტიკულად ათვისება და თავისი დროის მთელი ცოდნის სისტემატიზაცია. მისი მთავარი შრომაა ფილოს. ენციკლოპედია, რ-იც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას.

ი. ს-ს ფილოს. კონცეფციაში ერთმანეთს ეწყმის არისტოტელიზმი და ნეოპლატონიზმი, თუმცა იგი უფრო არისტოტელეს გავლენას განიცდის. ი. ს-ს განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის *უნივერსალიების* პრობლემის კვლევაში.

ი. ს-ს მიხედვით, მატერია, რ-იც ცალკეულ საგანთა მრავალსახეობის საფუძველია, მარადიულია. ღმერთს თავის მარადიულობაში არ შეუძლია შექმნას რაიმე ცვალებადი, ამიტომ იგი ქმნის პირველად გონებას, რ-ისგანაც ემანაციით იქმნება ყოველივე არსებული ცის სფეროებში და მიწაზე. ასე რომ, სამყარო ღმერთზეა დამოკიდებული და ისიც ისევე მარადიულია, როგორც ღმერთი. ი. ს-ს პოეტურმა მემკვიდრეობამ ჩვენამდე ნაწილობრივ მოაღწია (წერდა არაბულად და სპარსულად). თავის ლექსებში გამოხატავდა საკუთარ ფილოს. შეხედულებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია „სულის კასიდა“, რ-შიც ადამიანის სული მსოფლიო სულის ნაწილად არის განხილული. ქადაგებდა მეცნიერებისა და განათლების სიკეთეს. სპარს. რობაიებში იგი მწარედ დასცინის თანადროული ცხოვრებისა და ორთოდოქსული ისლამის მანკიერ მხარეებს. ალეგორიული ხასიათისაა ი. ს-ს ფილოს.-მხატვრული ნაწარმოებები „სალამან და აბსალი“, „წერილი ფრინველზე“ და „ცოცხალი, ძე ფხიზლისა“, რ-იც სიუჟეტურად დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ უახლოვდება. ი. ს. საინტერესოა აგრეთვე როგორც მთარგმნელი და ლიტ-რის თეორეტიკოსი. მას ეკუთვნის არისტოტელეს „პოეტიკისა“ და არაბი პოეტის იბნ ალ-რუმის დივანის კომენტარები. ი. ს. (ხალხური სახელწოდება—ბუ ალი) იქცა თითქმის მთელი ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ზღაპრების გმირად, რ-საც ხალხის სიყვარულმა და პატივისცემამ ფანტასტ. ბრძენის სახელი დაუმკვიდრა. ი. ს-ს უმნიშვნელოვანესი სამედ. თხზულება „სამკურნალო მეცნიერების კანონი“ ლათ. ენაზე XII ს-ში ითარგმნა და პირველად 1473 გამოქვეყნდა მილანში, არაბ. ენაზე შედგენილი ორიგინალი კი 1593 დაიბეჭდა რომში. არსებობს ამ ნაწარმოების 30 გამოცემა. მასში ავტორი ეხება მცენარეთა, განსაკუთრებით სამკურნ. მცენარეთა. მოშენებასა და ფიზიოლოგიას, მედ. ზოგად თეორიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ქირურგიას, დიაგნოსტიკას, მწვავე და ქრონ. დაავადებების განვითარებას, მკურნალობას, პროფილაქტიკას და სხვ. დაავადების განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გარემო პირობებს. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ გადამდებ სნეულებებს რაღაც უჩინარი ორგანიზმები იწვევენ და დაავადებანი ჰაერისა და წყლის საშუალებით ვრცელდება. ცდილობდა დაედგინა კავშირი ფიზიოლ. პროცესებსა და ფსიქ. მოვლენებს შორის. უარყოფდა მოსაზრებას, თითქოს ფსიქ. დაავადებებს ავი სულები იწვევდნენ. ი. ს-მ ზუსტად აღწერა მრავალი დაავადება. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჰიგიენას და კვების რეჟიმს. შექმნა ახ. ფარმაცია. მის ფარმაკოპეაში შეტანილია ხალხური, განსაკუთრებით ჩინ. მედიცინის მრავალი საშუალება.

თხზ.: Traités mystiques. Texte arabe, ibl. par M. A. F. Mehren, fasc. 1—4, Leiden, 1889—99; Даниш-намэ. Книга знания, Сталинабад, 1957; Канон врачебной науки, кн. 1—5, Таш., 1954—60; [წიგნში] збр. произв. мыслителей стран Ближнего Среднего Востока IX—XIV вв., М., 1961.

ლიტ.: Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР, т. 1, М., 1955.

ნ. კილაძე.

ბნ ტუფაილი, აბუ ბაქრ მუჰამად იბნ ბდ ალ-მალიქ იბნ მუჰამად იბნ ტუფაილ ლ-კაისი, ქრისტიანი სქოლასტიკოსები წოდებენ ა ბ უ ბ ა ქ ე რ ს, (დაახლ. 110, გრანადის მახლობლად, — 1185/6, ბროკო), არაბი მწერალი, ფილოსოფოსი და სწავლული. არაბ.-ესპანური ფილოს. აციონალისტური ხაზის წარმომადგენელი. არისტოტელესეული ნატურფილოსოფია შეაერთა ღვთის ნეოპლატონიკურ ოძღვრებასთან ემანაციის შესახებ. ი. ბ. ავტორია შუა საუკ. ერთ-ერთი ღირსესანიშნავი ძეგლის, ალეგორიული ხასიათის მისტ.-ფილოს. რომანისა „ჰაი ბნ იაკზან" („ცოცხალი, ძე ფხიზლისა"). იგნში აღწერილია სულიერი აღზრდა-ანვითარება ბავშვობაში უკაცრიელ კუნულზე მიტოვებული ადამიანისა, რ-საც ონების ძალამ შეაძლებინა მიეღწია აზოვნების მაღალ ფილოს. დონემდე, გაეჭვრიტა ღვთაება, ჩასწვდომოდა ბუნების ანონებს. ი. ტ-ს ეკუთვნის აგრეთვე ორი ამედ. ტრაქტატი. მან თავისი ორიგინ. დეებით გავლენა მოახდინა არაბ. სამყაოში ასტრონ. განვითარებაზე.

ლიტ.: К р а ч к о в с к и й И. Ю., Избр. соч., т. 1—6, М.—Л., 1955—60.

ნ. ფურცელაძე.

ბნ შაღადი ბაჰა ალ-დინ აბუ ლ-მაჰასინ იუსუფ (1144/5, მოსული, — 1234/5, ალაბი), არაბი ისტორიკოსი და მწერალი. ავტორია რამდენიმე შრომისა, რ-თაგან ნიშვნელოვანია „სალაჰ ალ-დინის ბიოგრაფია". ნაშრომში ვრცლადაა წარმოდგენილი ეგვ. ურთიერთობა სხვა ქვეყებთან პირველი აიუბიდი სულთნის დროს; ოთხრობილია 1192/3 სალაჰ ალ-დინის 	არზე საქართვ. მეფის ელჩების გამოცხადების, მისთვის თამარის წერილისა და ფულიმთა მიერ 1187 მიტაცებული ჯვრის ონასტრის გამოსახსნელად 200 ათასი ინარის გადაცემის ამბავი.

ლიტ.: Ц а г а р е л и А. А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, «Православный палестинский сборник», 1888, т. 4, в. 1.

ბ. სილაგაძე.

ბნ ხალდუნი აბდ ალ-რაჰმან აბუ ზეიდ იბნ მუჰამად (27. V. 1332, ტუნისი, — 17. III. 1406, კაირო), არაბი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. ი. ხ-ის ძირითადი შრომა „წიგნი სანიმუშო მაგალითებისა არაბების, სპარსელების, ბერბერებისა და სხვა ერთა თანამედროვე ხალხების ისტორიიდან" შედგება 3 ნაწილისაგან: 1. „შესავალი" („მუკადდიმა"), რ-შიც გაშუქებულია ისტ. კვლევის ამოცანები, მეთოდები და პრინციპები; გადმოცემულია ი. ხ-ის მოძღვრება საზ-ბის განვითარების შესახებ და სხვ. 2. მუსლ. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია. 3. მაღრიბის ხალხთა ისტორია. ბოლო ნაწილი, რ-იც გამოირჩევა აღწერის სისრულითა და სიზუსტით, ჩრდ. აფრიკის შუა საუკ. ისტორიის ძირითადი წყაროა. წიგნში გვხვდება ისტ. და გეოგრ. ხასიათის ცნობები ამიერკავკ. და კერძოდ, საქართველოს შესახებ. ი. ხ-ს ეკუთვნის „ავტობიოგრაფია" — შუა საუკ. არაბ. მეცნიერული ლიტ-რის ერთ-ერთი პირველი ნიმუში.

ბნ ხალიქანი აჰმად იბნ მუჰამად (22. IX. 1211, ირბილი, — 30. X. 1282, დამასკი), არაბი მწერალი. დაიბადა წარჩინებულთა ოჯახში. განათლება მიიღო ჰალაბსა და დამასკში. ცნობილი იყო თავისი მახვილგონიერებით, განსწავლულობით, სამართლიანობით. მიაღწია მთავარი მოსამართლის თანამდებობას. ავტორია ბიოგრ. ლექსიკონისა „წიგნი სახელგანთქმული ადამიანების გარდაცვალებისა და ცნობები თანამედროვეთა შესახებ". ლექსიკონში გამოყენებულია წყაროები, რ-ებიც დღეისათვის დაკარგულია ან გამოცემული არ არის.

ბნ ხორდადბეჰი აბუ ლ-კასიმ უბაიდ ალ-ლაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰ (დაახლ. 820—912), არაბი გეოგრაფი. წარმოშობით სპარსელი. ავტორია ჩვენამდე მოღწეული პირველი გეოგრ. თხზულებისა „წიგნი გზებისა და სახელმწიფოების შესახებ". წიგნში საინტერესო ცნობებია ამიერკავკ. და კერძოდ, საქართველოს შესახებ. აღწერილია სამარშრუტო გზები და ამ გზებზე მდებარე ქალაქები.

ლიტ.: К р а ч к о в с к и й И. Ю., Избр. соч., т. 4, М.—Л., 1957; Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, пер. и прим. Н. А. Караулова, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1903, в. 32.

ბ. სილაგაძე.

ბნ ჰაზმი აბუ მუჰამად ალი იბნ აჰმად იბნ საიდ (7. XI. 994, კორდოვა, — 1064, მალტა), ანდალუსიელი (ესპანეთი) არაბი პოეტი და მეცნიერი, კორდოვის სახალიფოს ეპოქის არაბ. ლიტ-რის უკანასკნელი წარმომადგენელი. ომაიანების დინასტიის დაცემის შემდეგ ჩამოსცილდა პოლიტ. ცხოვრებას და განმარტოვდა ქ. ალმერიაში (ხმელთაშუა ზღვის სანაპირო). დაახლ. 1029 დაწერა პოპულ. თხზ. „მტრედის ყელსაბამი" — წიგნი სიყვარულსა და შეყვარებულებზე, რ-იც ეთიკური ტრაქტატისა და მხატვრული ლიტ-რის მიჯნაზე დგას. ერთმანეთთან თემატურად დაკავშირებულ ნოველებში ჩართულია ლექსები. ი. ჰ. უზრაული (სულიერი) სიყვარულის მომხრეა. სიყვარულის მისეულ გაგებას ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს ბაღდადის სკოლის მისტიკოსთა შეხედულებებს, რ-ებიც უზრაულ პოეზიას ღვთაისადმი მისტიკური სიყვარულის გამოხატულებად თვლიდნენ.

თხზ.: Ожерелье голубки, М., 1957.

ლიტ.: А л ь-Ф а х у р и Х., История арабской литературы, т. 2, М., 1961.

ბნ ჰაიანი აბუ მარვან ჰაიან იბნ ხალაფ იბნ ჰასან ალ-კურტუბი (987 ან 988, კორდოვა, — 30. X. 1076, იქვე), ესპანეთის არაბი ისტორიკოსი და პოეტი. ეკავა კორდოვის დაცვის უფროსის თანამდებობა. ავტორია პოემებისა, სალვთისმეტყველო ტრაქტატებისა, ისტ. ქრონიკებისა. მისი შრომა „ანდალუსიის ხალხთა ისტორიის შესახებ ამოკრეფილი ცნობები" მნიშვნელოვანი წყაროა ომაიანების დროის (VIII—X სს.) მუსლ. ესპ. ისტორიისათვის.

ბნ ჰანი ალ-ანდალუსი აბუ ლ-კასიმ მუჰამად (938, სევილია, — 973, ბარაკა, ჩრდ. აფრიკა), ანდალუსიელი (ესპანეთი) არაბი პოეტი. მისი პოეტური დივანი ძირითადად ხოტბებს (მადჰი) შეიცავს. აქვს აგრეთვე სატირები (ჰიჯა), გლოვის ლექსები და სხვ. განსაკუთრებული მხატვრული ძალითაა ხორცშესხმული მის კასიდებში სატრფიალო (ნასიბი) და პესიმისტური მოტივი. იცავს კლასიკური არაბ. პოეზიის ტრადიციებს.

ლიტ.: К р а ч к о в с к и й И. Ю., Избр. соч., т, 2, М.—Л., 1956; N y k l A. R., Hispano-Arabic poetry and its relations with the old Provençal troubadours. Balt., 1946.

ბნ ჰაუკალი აბუ ლ-კასიმ იბნ ალი ალ-ნასიბი (V. 943, ნისიბინი, — გ. წ. უცნობია), არაბი გეოგრაფი და მოგზაური. ავტორია „წიგნისა გზებისა და სახელმწიფოების შესახებ". თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს ამიერკავკასიაზე. ი. ჰ-მა იმოგზაურა თბილისში და ვრცლად აღწერა იგი.

ლიტ.: К а р а у л о в Н. А., Сведения арабских географов IX и X веков по Р. Хр. о Кавказе, Армении и Азербайджане, «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 1908, в. 38; К р а ч к о в с к и й И. Ю., Избр. соч., т. 4, М.—Л., 1957.

ბ. სილაგაძე.

იბო, ი გ ბ ო, აღმოსავლეთ ნიგერიაში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 11,0 მლნ. კაცი (1973, შეფასება). ლაპარაკობენ იბო ენაზე. ნაწილი ინარჩუნებს ადგილ. ტრად. რწმენებს, დანარჩენი ქრისტიანია (უმთავრესად კათოლიკეები). ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, საექსპორტოდ გააქვთ ზეთოვანი პალმის ნაყოფი. ფორმირების პროცესშია კაპიტალ. წარმოების წესთან დაკავშირებული ახ. საზ. ურთიერთობანი.

იბრაჰიმ I შ ი რ ვ ა ნ შ ა ჰ ი (გ. 1417), აზერბაიჯანელი სახელმწიფო მოღვაწე, შირვანის მმართველი (1382—1417). აღიარა თემურლენგის ვასალობა და ამით გადაარჩინა შირვანი აოხრებას. თემურლენგის სიკვდილის შემდეგ აღადგინა შირვანის დამოუკიდებლობა. საქართველოსთან კავშირში დროებით აიღო ქ. თავრიზი, მაგრამ შემდეგ დამარცხდა და შირვანი ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს ვასალი გახდა.

იბრაჰიმ-ბეი ალ-ქაბირ ალ-მუჰამად [1735, სოფ. მარტყოფი, — 1815, დონგოლა (სუდანი)], ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს გამგებელი (1775—1804 შუალედებით). ეგვიპტეში ტყვედ გაყიდული ქართველი აბრამა სინჯიკაშვილი. ეგვიპტეს მართავდა თითქმის 29 წლის განმავლობაში. 1785—87 დიდი ავგანყება მოაწყო ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და დახმარებისათვის რუსეთს მიმართა, მაგრამ ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია. 1798—1801 სხვა მამლუქ ბეგებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ეგვ. ხალხის განმათ. ბრძოლას საფრანგეთის წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეგვიპტიდან ფრანგების განდევნაში, ხოლო 1803 კვლავ წინ აღუდგა ოსმალებს. 1804 უთანასწორო ბრძოლაში დასუსტებულმა მამლუქებმა ხელისუფლება დაკარგეს. ეგვ. ახ. გამგებლის *მუჰამად ალის* მიერ დევნილი ი.-ბ. თანამებრძოლებთან ერთად სუდანში გადაიხვეწა და იქ გარდაიცვალა. ი.-ბ-ს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან; ტყვეობიდან დახსნილ თანამემამულეებს, ვინც შინ დაბრუნებას ისურვებდა, ამარაგებდა ფულით, სურსათით, აუცილებელი საბუთებით და საქართველოში გზავნიდა; 1778 მან ფული გამოგზავნა მარტყოფში ეკლესიის ასაგებად. ი.-ბ-ს მიმოწერა ჰქონდა ერეკლე II-თან. მიმოწერის ძირითადი მიზანი იყო რუს.-საქართვ.-ეგვ. შეთანხმებული მოქმედება საქართველოდან და ეგვიპტიდან ოსმალების გასაძევებლად.

ა. იბრაჰიმოვი.

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., ეგვიპტელი მამლუქები, «ცისკარი», 1967, № 7; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ს ი ლ ა გ ა ძ ე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967.

ბ. სილაგაძე.

იბრაჰიმი, ი ბ რ ა ჰ ი მ ჯ ა ფ ე ლ ი, ახალციხის ფაშა 1759—61. მოითხოვდა ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლებას დას. საქართველოში. 1760 შემოდგომაზე დიდი ლაშქრით იმერეთში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ახალციხეში დაბრუნებულს ხალხი აუჯანყდა, ფაშობიდან გადააყენეს და ქალაქიდან გააძევეს. სულთანმა იგი ყარსის ფაშად გადაიყვანა.

ლიტ.: ლ ო მ ს ა ძ ე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), ობ., 1975.

შ. ლომსაძე.

იბრაჰიმოვი ალი ისმაილ-ოღლუ [დ. 18. IX (1. X). 1913, სოფ. უსტ-კარა, ახლანდ. ჩიტის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1943-იდან. 1937 დაამთავრა მ. აზიზბეკოვის სახ. აზერბ. ინდუსტრ. ინ-ტი. 1937—38 იყო ბაქოს ლეიტენანტ შმიდტის სახ. ქ-ნის საამქროს უფროსი. 1938—40 მსახურობდა საბჭ. არმიაში. 1941—43 ბაქოს 1-ლი მაისის სახ. მანქანათმშ. ქ-ნის მთავარი ინჟინერი.

გ. იბრაპიმოვი.



ღ. იბრაპიმოვი.

ჰ. ი. იბსენი.

1943—45 ს. კიროვის სახ. მანქანათმშ. ქ-ნის დირექტორი. 1945—46 მუშაობდა აზერბ. კპ ბაქოს საქალაქო კომიტეტში. 1946—48 „აზნეფტემაშის" ტრესტის მმართველი, 1948—49 აზერბ. კპ ცკ-ის მდივნის მოადგილე, 1949—50 სატრანსპ. განყ-ბის გამგე. 1954—63 აზერბ. სსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავ-რე. 1963—65 ამიერკავკ. ეკონ. რ-ნის საგეგმო კომისიის თავ-რე (თბილისი). 1965—70 აზერბ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე, 1970-იდან თავ-რე. სკკპ XXIV—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად. სსრკ VII—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

იბრაპიმოვი მირზა აჟდარ-ოღლუ [დ. 15 (28). X. 1911, სოფ. ეკე, სამხრ. აზერბაიჯანი], აზერბაიჯანელი საბჭ. მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე. აზერბ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1945), აზერბ. სახ. მწერალი (1961). სკკპ წევრი 1930-იდან. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1930-იდან. წერს ლექსებს, სოც.-პოლიტ. ხასიათის ნარკვევებს. ავტორია პიესებისა „პაიათი" (დაიდგა 1935), „მადრიდი" (1937), „მაპაბათში" (1941), სამხრ. აზერბ. ცხოვრების ამსახველი „სამხრეთული მოთხრობებისა" (1946—47) და რომანებისა „დადგება დღე" (1948, სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), „დიდი იმედი" (1957). O-ის სამეცნ. შრომებიდან აღსანიშნავია: „დიდი დემოკრატი" (1937), „რეალიზმი ამულურ პოეზიაში" (1966) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Очерк истории азербайджанской советской литературы, М., 1963.

იბრაპიმოვი ღალიმჯან ღირფანის ძე [28. II (12. III). 1887, სოფ. სულტანმურატოვო, ახლანდ. აურლაზის რ-ნი, ბაშკ. ავტონ. რეს., — 21. I. 1938], თათარი საბჭ. მწერალი და საზოგადო მოღვაწე. სკკპ წევრი 1920-იდან. იყო თებ. ბურჟ.-დემოკრ., ოქტ. სოციალ. რევოლუციებისა და სამოქალაქო ომის (1918—20) მონაწილე. 1918-იდან ხელმძღვანელობდა თათრულ ენაზე ლენინის თხზ. გამოცემას, 1928 მიენიჭა შრომის გმირის წოდება. ნაწარმოებებს ბეჭდავდა 1907-იდან. 1920 გამოაქვეყნა ტრილოგია „ჩვენი დღეების" I წიგნი. 1924 — „სტეპების ასული", 1926—28-ში კი „ღრმა ფესვები". ავტორია მრავალი ფილოლ. და ისტ. ხასიათის ნაშრომისა.

იბრაპიმ-ფაშა (1786 ან 1789, ქ. კავალა, ახლანდ. საბერძნ. ტერიტ., — 10. XI. 1848, კაირო), ეგვიპტელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, *მუჰამად ალის* შვილი. მონაწილეობდა ეგვ. არმიისა და ფლოტის შექმნაში, ეკონ. რეფორმების გატარებაში. 1807—12 იყო დავთარდარი (საფინანსო უწყების უფროსი), 1812—16 — ზემო ეგვ. გუბერნატორი. 1816—41 სარდლობდა ეგვ. არმიას. სახელი მოიხვეჭა არაბეთში ვაჰაბიტებთან ბრძოლით (1816—18). 1824—27 მეთაურობდა ეგვ. ჯარებს საბერძნ. ეროვნ.-განმათ. რევ. (1821—29) წინააღმდეგ ბრძოლაში. 1847-იდან ფაქტობრივად ეგვ. გამგებელი იყო. 1848 ივნისიდან ეგვ. მემკვიდრე ფაშა.

იბრაპიმ შინასი (Ibrahim Şinasi) (1826, სტამბოლი,—13. IX. 1871, იქვე), თურქი განმანათლებელი მწერალი; ახალი თურქული ლიტ-რის ფუძემდებელი. თანზიმათის (რეფორმების ეპოქა) ლიტ-რის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. განათლება მიიღო პარიზში. ეზიარა ფრანგ განმანათლებელთა იდეებს. თურქეთში დაბრუნების შემდეგ იბრძოდა საზ. ცხოვრების გარდაქმნისათვის. თურქ. დრამატურგიის მამამთავარია. მას ეკუთვნის პირველი თურქ. კომედია „პოეტის ქორწინება" (1860). წერდა სამოქალაქო მოტივებით გამსჭვალულ ტრად. ფორმის (*კასიდა, ღაზალი, კიტა*) ლექსებს. ავტორია ჟ. რასინის, ა. ლამარტინის, ჟ. ლაფონტენის და სხვ. ნაწარმოებების პირველი თურქ. თარგმანებისა. აგროვებდა და სწავლობდა ფოლკლორულ ნიმუშებს. მუშაობდა ფრანგ.-თურქ. და განმარტებითი ლექსიკონების შედგენაზე.

იბსენი (Ibsen) ჰენრიკ იოჰან (20. III. 1828, შიენი, — 23. V. 1906, ქრისტიანია), ნორვეგიელი დრამატურგი, ეროვნ. თეატრის ფუძემდებელი. მამამისი, მდიდარი კომერსანტი, ადრე გაკოტრდა და O. იძულებული გახდა ოჯახს მიხმარებოდა; 5 წელზე მეტი ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. გრიმსტადში მეაფთიაქის შეგირდად. აქვე დაწერა პირველი ლექსები და დრამა „კატილინა" (1850), რ-ითაც გამოეხმაურა 1848 რევოლუციას. 1850 სასწავლებლად წავიდა ქრისტიანიაში, სადაც აქტიურად ჩაება საზ., პოლიტ. და ლიტ. ცხოვრებაში. 1852—57 ხელმძღვანელობდა ქ. ბერგენის პირველ ეროვნ. თეატრს.

O-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა გაიშალა 1849—99 წლებში. ამ ხნის მანძილზე მან გაიარა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზა. მისი პირველი დრამ. ნაწარმოებები აგრძელებდა პროგრ. რომანტიზმის ტრადიციებს; ბევრი მათგანი სათავეს იღებდა ძვ. საგებიდან, სიმღერებიდან, ქვეყნის ისტორიიდან, შთაგონებული იყო ნორვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობით. მათგან აღსანიშნავია „დეგგმირთა ყორღანი" (1850), „ესტროტელი ფრუ ინგერი" (1855), „ნადიმი სულპაუგში" (1856), „ბრძოლა ტახტისათვის" (1864) და სხვ. ჯერ კიდევ ამ დრამებში გამოჩნდა იბსენისეული რეალიზმის ნიშნები. შემდეგ თანდათან გამძაფრდა მწერლის კრიტ. დამოკიდებულება თანამედროვე სინამდვილისადმი; მისი იდეალი გახდა ძლიერი, სრულქმნილი პიროვნება, რ-საც უპირისპირებდა მეშჩანურ პრაქტიციზმსა და თანამედროვე ბურჟ. ფილისტერულ კეთილგონიერებას. O-მა წინა პლანზე წამოსწია სატირა და გროტესკი (პიესები: „ნორმა ანუ პოლიტიკოსის სიყვარული", 1851; „სიყვარულის კომედია", 1862; პუბლიც.-სატირული კომედია „ახალგაზრდათა კავშირი", 1869 და სხვ.). 1870—80-იან წლებში O. საბოლოოდ გაემიჯნა რომანტიზმს. მის შემოქმედებაში მომძლავრდა რეალისტურ-მამხილებელი ტენდენციები (პიესები: „საზოგადოების ბურჯი", 1877; „თოჯინების სახლი", 1879 და სხვ.). მომდევნო ეტაპზე, XIX ს. რეალიზმის იდეურ-შემოქმედებითი კრიზისის დროს, დრამ. ხელოვნ. განვითარების ახ. გზების ძიებისას O-მა შექმნა ფილოს. დრამის ტიპი, რ-შიც ფართოდ გამოიყენა სიმბოლიკა, განზოგადებისა და პიროვნითობის ხერხები. ზოგიერთ პიესაში შეინიშნება დეკადენტური მიმდინარეობის გავლენა („გარეული იხვი", 1884; „როსმერსჰოლმი", 1886; „ჰედა გაბლერი", 1890; „მშენებელი სოლნესი", 1892 და სხვ.). O-ის შემოქმედების მწვერვალია ფილოს.-სიმბოლური დრამა „ბრანდი" (1865) და „პერ გიუნტი" (1866, დაიდგა 1876); „ბრანდში" ბურჟ. სამყაროს მხილება ჭეშმარიტ რევ. ენერგიულობას აღწევს. „პერ გიუნტი" ეფუძნება ნორვ. ფოლკლორს. O-მა განაზოგადა ზღაპრული გმირის პერ გიუნტის სახე და წარმოადგინა დიდი სოც.-ისტ. მნიშვნელობის ტიპად. პიესაში ერთმანეთს ერწყმის რომანტიკა და მძაფრი სატირა.

O-ის დრამატურგიამ დიდი როლი ითამაშა მსოფლიო თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში, განამტკიცა რეალისტური ტენდენციები. O-ის პიესები დიდი წარმატებით იდგმება მსოფლიოს თეატრების სცენაზე. ქართ. საზ-ბა O-ის შემოქმედებას მის სიცოცხლეშივე გაეცნო. 1898 ლ. ალექსი-მესხიშვილმა დადგა „ნორა" („თოჯინების სახლი"), რ-იც თარგმნეს ვ. გუნიამ და ა. ცაგარელმა; ნორას როლს ასრულებდ ნ. ჩხეიძე, ხოლო ჰელმერისას — ლ. ალექსი-მესხიშვილი. 1903 ჟურნ. „მოამბეში № 4—8 დაიბეჭდა ი. პოლუმორდვინოვი თარგმანი „ხალხის მტერი" („ექიმი შტოკმანი"), რ-იც წარმოადგინა ქართ. დრამ. საზ-ბამ აკ. წერეთლისა და კ. მეხუნის დადგმით. 1906 თეატრ. ამხანაგობის დასმა დადგა „მოჩვენებანი" (მთარგმნელი და რეჟ. ვ. გუნია); 1914 „საზოგადოების ბურჯი" წარმოადგინა ქართ. დრამ. საზ-ბის დასმა. იდგმებოდა სხვა პიესებიც. ქართ. პრესაში („ივერია", „ცვალი", „ცნობის ფურცელი") ხშირად წერდნენ O-ის შესახებ კ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. ნათაძე და სხვ. 1928 O-ის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ჟურნ. „მნათობში" № 3 დაიბეჭდა ვ. ხუროძის წერილი, ამავე წელს კ. გამსახურდიას ესეი „ჰენრიკ იბსენი". რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში 1972 დაიდგა „დოქტორი სტოკმანი" (რეჟ. რ. სტურუა). 1974 კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში — „მოჩვენებანი" (რეჟ. თ. ჩხეიძე).

თხზ.: Samlede vaerker, bd. 1—21, Oslo, 1928—57; Собр. соч., т. 1—4, М., 1956—58; დრამები (ბრანდი. — პერ გუნტი. — ნორა ანუ თოჯინების სახლი. — მოჩვენებანი. — ხალხის მტერი. — ჰედა გაბლერი), დ. ლაშქარაძის წინასიტყვ., თბ., 1974.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 37, с. 350—353; Адмони В. Г., Генрик Ибсен, М., 1956; ამირეჯიბი თ., ჰ. იბსენი ქართულ სცენაზე, „საბჭოთა ხელოვნება", 1956, № 4; გამსახურდია კ., ჰ. იბსენი, მის წგნ.: აბალი ევროპა, ტფ., 1924; გელოვანი ა., ჰენრიკ იბსენი, თბ., 1957; ჯინორია ო., ჰენრიკ იბსენი კვლავაც იბრძვის, „საბჭოთა ხელოვნება", 1960, № 8.

მ. ტატენაძე.

იგავ-არაკი, მცირე ფორმის ლექსი ან მოთხრობა, სადაც ამბავი გადმოცემულია ნართაულად, ალეგორიებით. O.-ა-ში ადამიანების გარდა მოქმედებენ ცხოველები, მცენარეები. თხრობის დასასრულს ავტორი მკითხველს სთავაზობს რჩევა-დარიგებას ყოფითს ან ზნეობის საკითხებზე. O.-ა. ცნობილია უძველესი დროიდან. საყოველთაოდ აღიარებულია ესოპეს (საბერძნეთი, ძვ. წ. VI ს.), ფედრუსის (რომი, ახ. წ. I ს.), ლაფონტენის (საფრანგეთი, XVII ს.), ლესინგის (გერმ., XVIII ს.), ი. კრილოვის (რუსეთი, XIX ს.) O.-ა-ები, აგრეთვე ინდ. კრებული „პანჩატანტრა" (III—IV სს.), რ-იც საქართველოში ცნობილია სპარსულის გზით შემოსული „ქილილა და დამანას" სახელწოდებით. თანამედროვე ლიტ-რაში პოპულარობა მოიპოვა ამერ. მწერლის ჯ. თერბერის „სადღეისო იგავ-არაკებმა". ქართ. მწერლობაში O.-ა. ძველთაგანვე დამკვიდრდა. გვაქვს როგორც ორიგინ., ისე ნათარგმნი O.-ა-ები. O.-ა-ს ხშირად იყენებდნენ შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვახტანგ VI, ა. წერეთელი. იგავ-არაკული თხრობის უბადლო ნიმუშია ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა".

ვ. გაჩეჩილაძე.

იგავი, 1. მოკლე ალეგორიული მოთხრობა, რ-იც, ჩვეულებრივ, ზნეობრივ-დამრიგებლური დასკვნით მთავრდება. იგივეა, რაც *იგავ-არაკი*. 2. სამართ. ისტორიაში — სამართ. წიგნში მოყვანილი კერძო შემთხვევა, *კაზუსი* და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. ასეთ იურიდ.-ტექ. ხერხს მიმართავდნენ სამართ. ნორმის უკეთ გაგების მიზნით მაშინ, როდესაც საჭირო იყო ჩვეულებრივი მართლურთიერთობისაგან განსხვავებული რთული შემთხვევის საკანონმდებლო გადაწყვეტა. O-ის ანუ „სიტყვით მაგალითის" (საბა) სახითაა გადმოცემული ბერძნ. სამართ. ქართ. ვერსიის („*სამართალი ბერძული*") 204 და 280 მუხლები (შდრ. მმ. 203 და 279).

იგარკა, ქალაქი (1931-იდან) რსფსრ კრასნოიარსკის მხარეში, პოლარული

წრის ჩრდ-ით 163 *კმ*. ნავსადგური მდ. ენისეიზე (შედიან საზღვაო გემები). ხეტყის კომბინატი, თევზის ქ-ნა. ჩრდ. ხალხების პედსასწავლებელი, კრასნოიარსკის პოლიტექნიკუმის ფილიალი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით (1979).

იგიდირი, არქეოლოგიური ძეგლი არარატის ძირას, სოფ. იგდირის მახლობლად (თურქეთი). 1913 გათხარა პ. პეტროვმა, შეისწავლა ბ. კუფტინმა. აღმოჩნდა: 1. ვულკ. ლავის ქვეშ მოქცეული ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტ. დროინდელი) ნამოსახლარის ნაშთები. ნაცროვან კულტ. ფენაში იყო ადამიანისა და ცხოველების ძვლები, ალიზი, ნახშირი, ქვის ხელსაფქვავები და სანაყები, თიხის ჭურჭლისა და სადგარის ფრაგმენტები, ობსიდიანი და სხვ.; 2. იქვე ახლოს, ვულკ. ტუფის ნაპრალებში მოწყობილი ურარტუს ხანის კოლუმბარიუმი — კრემაციული და ერთიც ინჰუმაციური სამარხები. მიცვალებულის ფერფლი და სამკაული მოთავსებული იყო წითელპრიალა თიხის ურნებში, რ-ებიც სხვა თანმხლებ ნივთებს შორის იდგა. არქეოლ. მასალისა და დაკრძალვის წესის მიხედვით, ბ. კუფტინის აზრით, კოლუმბარიუმი თარიღდება ძვ. წ. VIII ს. I ნახევრით და განეკუთვნება უარარტუს ექსპანსიის პერიოდში ვანის ტბის მხრიდან მოსულ დამპყრობთა ჯგარში შემავალ ტომობრივ ჯგუფებს. O-ის კომპლექსმა პირველად დაათარიღა აქ აღმოჩენილი ზოგიერთი კოლხურ-ყობანური ნივთიც (ტოლჩა-სიტულა, ფიბულა და სხვ.).

ლიტ.: Куфтин Б. А., Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1944, ტ. 13 B; Отчет по Кавказскому музею за 1914 год, Тфл., 1917. *ე. გოგაძე.*

იგივეობა, მიმართება საგნებს შორის. განსხვავების მიმართებასთან ერთად O. შეადგენს იმ ფილოს. კატეგორიათა წყვილს, რ-ებიც ერთმანეთის საშუალებით შეიძლება განისაზღვროს და რ-ებშიც აისახება საგნობრივი სინამდვილის შემეცნების უმარტივესი საფეხური. O-ს განსაზღვრავენ ლოგიკური ცნებებით, სახელდობრ: a და b საგანი ერთმანეთის იგივეობრივია მხოლოდ მაშინ, როდესაც a-ს აქვს ყველა ის თვისება, რ-იც აქვს b-ს და b-ს აქვს ყველა ის თვისება, რ-იც აქვს a-ს (ლაიბნიცის კანონი). ამჟამად მას აიგივებენ ხოლმე ან იგივეობიან პრედიკატთა ლოგიკის კანონთან — a=a, ან დებულებათა ლოგიკის კანონთან, ანდა სემანტიკურ პრინციპთან — ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იგივე გამოსახულება მოხმარებულ იქნას ერთი და იგივე მნიშვნელობით. *ლ. მჭედლიშვილი.*

იგივეობის კანონი, იხ. *აზროვნების კანონები.*

იგივეობის პრინციპი, *კვანტური მექანიკის* ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რ-ის თანახმად შეუძლებელია ექსპერიმენტულად განვასხვაოთ იგივური ნაწილაკები [ე. ი. ნაწილაკები, რ-ებსაც აქვთ ერთნაირი ფიზ. თვისებები: მასა, *სპინი*, ელექტრული მუხტი და ა. შ. (კვანტური რიცხვები)]. ამ პრინციპის თანახმად, ნაწილაკთა სისტემების მდგომარეობანი, რ-ებიც მიღებულია ერთმანეთისაგან იგივური ნაწილაკების გადასმით, განიხილება როგორც ერთი და იგივე ფიზ. მდგომარეობა. იგივური ნაწილაკები კლასიკურ მექანიკაში შეგვიძლია განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, მაგ., ფიზ. სისტემის შედგენილობაში შემავალი ელექტრონები საწყის მომენტში შეიძლება როგორღაც „დავნიშნოთ" და ტრაექტორიაზე მათი მოძრაობისას დროის ნებისმიერ შემდგომ მომენტში „შევიცნოთ" ისინი. კვანტურ მექანიკაში იგივური ნაწილაკების ერთმანეთისაგან განსხვავება შეუძლებელია. ნაწილაკის მდგომარეობა აიწერება *ტალღური ფუნქციით* (Ψ), რ-იც საშუალებას იძლევა განისაზღვროს სივრცის მოცემულ წერტილში მხოლოდ ნაწილაკის აღმოჩენის ალბათობა $|\Psi|^2$. სივრცეში ორი (ან უფრო მეტი) ტალღური ფუნქციის გადაფარვისას, ე. ი. იგივურ ნაწილაკთა აღმოჩენის შესაძლო არეების გადაფარვის შემთხვევაში, აზრი არა აქვს იმის მტკიცებას, თუ მოცემულ წერტილში რომელი ნაწილაკია მოთავსებული. აზრი აქვს მხოლოდ მოცემულ წერტილში ერთ-ერთი იგივური ნაწილაკის აღმოჩენის ალბათობას. ამიტომ ალბათობა არ შეიძლება იცვლებოდეს იგივური ნაწილაკების გადასმისას. მაგ., ორი ასეთი ნაწილაკისაგან შედგენილი სისტემისათვის უნდა სრულდებოდეს ტოლობა: $|\Psi(\xi_1, \xi_2)|^2 = |\Psi(\xi_2, \xi_1)|^2$, სადაც ξ_1 და ξ_2 თითოეული ნაწილაკის აღწერისათვის საჭირო ცვლადების ერთობლიობაა. ამ შემთხვევაში სისტემის ტალღური ფუნქცია ნაწილაკების გადასმის მიმართ შეიძლება იყოს ან სიმეტრიული: $\Psi(\xi_1, \xi_2) = \Psi(\xi_2, \xi_1)$, ან ანტისიმეტრიული: $\Psi(\xi_1, \xi_2) = -\Psi(\xi_2, \xi_1)$. კვანტური თეორიის თანახმად, სიმეტრიული ტალღური ფუნქციები აღწერენ მთელი სპინის მქონე ნაწილაკებს, ანტისიმეტრიული ტალღური ფუნქციები კი—მთელნახევარი სპინის მქონე ნაწილაკებს, რ-ებისთვისაც მართებულია *პაულის პრინციპი*. პირველ შემთხვევაში ნაწილაკები ემორჩილება *ბოზე-აინშტაინის სტატისტიკას*, ხოლო მეორე შემთხვევაში — *ფერმი-დირაკის სტატისტიკას*. O. ჰ. მიგვანიშნებს მნიშვნელოვან კვანტურ ეფექტზე — გაცვლითს ურთიერთქმედებაზე, რ-ის ანალოგი კლასიკურ ფიზიკაში არ არის.

იგლუ, კანადის ესკიმოსთა ერთი ნაწილის ზამთრის საცხოვრებელი, რ-იც თოვლის ბლოკებისაგან არის ნაგები და გუმბათოვანი მოყვანილობა აქვს. სიმაღლე დაახლ. 2 *მ*, დიამეტრი 3—4 *მ*. O-ს ფართობის დიდი ნაწილი თოვლისაგან ნაკეთებ საწოლს უკავია, რ-ზეც ტყავებია დაფენილი. შესასვლელი კედელშია გამოჭრილი, დიდთოვლობის დროს კი იატაკის ხვრელიდან შედიან. O-ს ანათებენ და ათბობენ ქონის ჭრაქით.

იგნატოვი ნიკოლოზ იულის ძე (დ. 15. IV. 1937, თბილისი), ქართველი საბჭ. ფერმწერი, თეატრის მხატვარი, მონუმენტალისტ-დეკორატორი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1967). სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1956—62) ს. ქობულაძის ხელმძღვანელობით. ძისი ნამუშევრები თანამედროვე მონუმ.-დეკორ. მხატვრობის ნიმუშებია. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: „სიმღერა საქართველოზე" (ბიჭვინთის საკურორტო დარბაზის რესტორანი, 1967), „ცოდნის წყარო" (ქართული საბჭ. ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის შენობის ვესტიბიული, 1969) და „ფიროსმანის გახსენება" (მთაწმინდის რესტორნის სასტუმრო დარბაზი, 1973). რუსთაველის თეატრში გააფორმა სპექტაკლები „სიბრძნე სიცრუისა" (ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, 1965), უ. შექსპირის „მეფე ლირი", 1966, მასვე ეკუთვნის დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ილუსტრაციები (1970) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1974).

იგნიმბრიტი (ლათ. ignis — ცეცხლი და imber, ნათ. ბრ. imbris—კოკისპირული წვიმა, თავსხმა), ვულკანური ქანი; შედგება ლავისა და ვულკ. ფერფლის ნამსხვრევებისაგან, შეიცავს მუქი ვულკ. მინის მომსხო ჩანართებსაც. ქანის შემადგენელი ნაწილები შემცხვარია. ვარაუდობენ, რომ O. წარმოიქმნება ძალზე გავარვარებული ვულკ. ფერფლის ღრუბლებიდან, რ-ებიც კატაის ქვეტიპის ამოფრქვევის დროს ჩნდება (იხ. *ვულკანები*). O. უფრო ხშირად მყავე შედგენილობის ქანია. *გ. ნადარეიშვილი.*

იგნიტრონი [ლათ. ignis — ცეცხლი და *(ელექ)ტრონი*], ვერცხლისწყლის კათოდიანი და რკალური განმუხტვით მართვადი ერთანოდიანი *იონური ხელსაწყო*. იყენებენ *ვერცხლისწყლის ვენტილად* მძლავრ გამმართველ და ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობებში, ელექტროამძრავებში, რკინიგზის ელექტროწევის ქვესადგურებში და ა. შ.; ემყარება ძირითად რკალურ განმუხტვას, რ-იც კათოდსა და ანოდს შორის ხდება, იწვევს კათოდის ერთი ან რამდენიმე მნათი უბნიდან (დამხმარე რკალით წარმოქმნილი კათოდური ლაქებიდან) ელექტრონების ამოფრქვევას, როცა ანოდზე დადებითი ძაბვაა. დამხმარე რკალი ელექტრული დენის იმპულსებით პერიოდულად ჩნდება ძირითადი რკალის ანთების წინ. მისი ანთების მომენტის ცვლილებით შესაძლებელია ძირითადი რკალის ანთების მომენტის მართვა, ამის შედეგად კი — დენის ძალის საშ. მნიშვნელობის (მაქსიმალურიდან ნულამდე) რეგულირება.

O-ის კორპუსი ან ლითონისაა ან მინისა. უფრო გავრცელებულია პირველი (დენის ძალის საშ. მნიშვნელობა 20 ა-იდან 700 ა-მდე აღწევს, ამპლიტუდური ძაბვა ანოდზე — 5 *კვ*-მდე).



მინისკორპუსიანი იგნიტრონი: 1—გრაფიტის ანოდი; 2 — სილიციუმკარბიდის ან ბორის კარბიდის ამნთები ელექტროდი; 3-ვერცხლისწყლისკათოდი.

იგოეთი, სოფელი კასპის რ-ნში (ოკამის სოფსაბჭო), შიდა ქართლში, მდ. ლეხურის ნაპირებზე, ნატახტარ—ხაშურის საავტ. გზაზე. ზ. დ. 700 *მ*, კასპიდან 9 *კმ*. ოკამის მეცენატეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. სოფლის მიდამოებში მოპოვებული არქეოლ. მასალით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია. სოფლის ახლოს ფეოდ. ხანის ძეგლის ე. წ. „წითელი საყდრის" ნანგრევებია.

იგორი (გ.- 945), კიევის დიდი მთავარი 912-იდან, რიურიკოვიჩთა დინასტიის ფაქტობრივი დამაარსებელი. აგრძელებდა თავისი წინამორბედის *ოლეგის* საქმიანობას, იყო ადრინდ. ფეოდ. სახელმწიფოს ტიპური მთავარი. 913 ილაშქრა კასპიის-პირეთში, მიაღწია ბაქოს და აიღო ბარდავი. 944 ბიზანტიაზე გაილაშქრა, რის შედეგადაც რუსებსა და ბერძნებს შორის დაიდო ხელშეკრულება. მოკლეს დრევლიანებმა, როცა განმეორებით მოითხოვა ხარკი.

ლიტ.: Греков Б. Д., Киевская Русь, [М.], 1953.

იგრენი, ქალაქი (1959-იდან) უკრ. სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქში, მდ. სამარის (დნეპრის აუზი) ნაპირზე, დნეპროპეტროვსკიდან 17 *კმ*. რკინიგზის სადგური. პურის ქ-ნა, გრანიტის კარიერი. ქალაქის მოსახლეობა ძირითადად დნეპროპეტროვსკის საწარმოებში მუშაობს.

იგრიკა, იხ. *აპრილი.*

იგუანასებრნი (Iguanidae), ქვეწარმავლების ოჯახი ხვლიკისნაირთა რიგისა. ცნობილია 50-ზე მეტი გვარი, რ-თაგან აღსანიშნავია იგუანა (Iguana), *ანოლისი, ბასილისკუსი, ფრინოსომა* და სხვ., სულ 700-მდე სახეობა. გავრცელებული არიან დას. ნახევარსფეროში, ფიჯის კუნძულებზე და სხვ. უმრავლესობა დებს კვერცხებს, ზოგი კვერცხცოცხლადმშობია. O-თა ხორცი და კვერცხი იჭმება.

იგუანასებრნი. იგუანა (Iguana iguana).

იგუანოდონი (Iguanodon), ფრინველმენჯა დინოზავრების გვარი იგუანოდონისებრთა (Iguanodontidae) ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 10 *მ* აღწევდა; დადიოდნენ ორ ფეხზე, ჰქონდათ შედარებით მოკლე კისერი, გრძელი და გვერდებიდან შებრტყელებული მძლავრი კუდი, საკმაოდ წაგრძელებული თავის ქალა, უკანა კიდურებზე ბევრად მოკლე ხუთთითიანი



იგლუ. საერთო ხედი.

წინა კიდურები. ცერი ბოლოვდებოდა მსხვილი და წაწვეტებული ფალანგით, რ-იც ალბათ თავდაცვის საკმაოდ ეფექტური იარაღი იყო. უკანა კიდურის პირველი თითი ძლიერ რედუცირებული იყო, მეხუთე კი — საერთოდ აღარ ჰქონდათ. იკვებებოდნენ მცენარეებით. ი. გავრცელებული ყოფილა იურული პერიოდის მიწურულსა და ცარცულის დასაწყისში. მისი ნაფეხურები გვხვდება ადრინდ. ცარცული პერიოდის ე. წ. ველდურ ნალექებში.

ლ. გაბუნია.

იგუანოდონის (Iguanodon bernissartensis) ჩონჩხი.

იგუასუ (Iguaçü), მდინარე ბრაზილიის სამხრ.-აღმ. ნაწილში, პარანის შტატს. შენაკადი. სიგრძე 1320 *კმ*, აუზის ფართ. 62 ათ. *კმ*². სათავე აქვს სერა-დუ-მარის ქედის დას. კალთებზე. მიედინება ბრაზ. ზეგნის დას. ნაწილში. ქვემო დინებაზე გადის საზღვარი ბრაზილიასა და არგენტინას შორის. ი-ზე ბევრი ჭორომი და ჩანჩქერია (ოზორიუ, იგუასუ და სხვ.). საზრდოობს წვიმის წყლით. წყალუხვია მთელი წლის მანძილზე. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან დაახლ. 1200 *მ*³/*წმ*.

„ი. გ. ფარბენინდუსტრი“ (I. G. Farbenindustrie Aktiengesellschaft), გერმანიის სამხედრო-ქიმიური კონცერნი; შეიქმნა 1925 გერმ. ძირითადი ქიმ. კომპანიების გაერთიანებით. კონცერნი მონაწილეობდა გერმ. იმპერიალიზმის სამხ. მანქანის შექმნაში. 1945-იდან დანაწილდა იურიდიულად დამოუკიდებელ კომპანიებად და არსებობა შეწყვიტა. მრავალი მისი მოთავე დაისაჯა, როგორც სამხ. დამნაშავე. გდრ-ის ტერიტორიაზე არსებული კონცერნის საწარმოები (აქტივების დაახლ. 50%) სახ. საკუთრებად იქცა. გფრ-ში კონცერნის აქტივები გაიყო იმ 3 ძირითად კომპანიას შორის („ჰეხსტი“, „ბასფი“ და „ბაიერი“), რ-თაც გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ ქვეყნის ქიმ. მრეწველობაში (მათ ხელშია მთელი პროდუქციის 2/3). 1975 გაყიდეს 13,9 მლრდ. დოლარის პროდუქცია. დასაქმებული ჰყავდათ 462 ათ. კაცი.



 მ. იდალგო.

იდალგო (ესპ. hidalgo), წვრილი და საშუალო აზნაურების ფენა შუა საუკუნეების ესპანეთში. ტერმ. გაჩნდა XII ს-ში, ხოლო XIII—XIV სს-ში რაინდთა წოდების ყველა წარმომადგენლის სახელად იქცა. ი-ები მნიშვნელოვან სამხ. ძალას წარმოადგენდნენ *რეკონკისტის* დროს. XV ს-იდან იწყება ი-ების გალატაკება და დაცემა. XVI ს. გაღარიბებულმა ი-ებმა აქტ. მონაწილეობა მიიღეს ახლადაღმოჩენილი ამერ. მიწების დაპყრობაში (იხ. *კონკისტადორები*).

იდალგო, ი დ ა ლ გ ო ი კ ო ს ტ ი ლ ი ა (Hidalgo y Costilla) მიგელ (8. V. 1753, გუანახუატოს შტატი, — 30. VII. 1811, ჩიუაუის შტატი), მექსიკის ეროვნული გმირი, ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ სახ. ავჯანყების ხელმძღვანელი 1810 — 11. წწ. 1810 სათავეში ჩაუდგა რევ. არმიას ესპანეთის წინააღმდეგ. 1811 იანვ. რევ. არმია დამარცხდა, ი. შეიპყრეს, გაასამართლეს და დახვრიტეს.

იდეა (ბერძნ. idea), ობიექტური რეალობის საგანთა და მოვლენათა აზრობრივი წვდომის ფორმა, რ-იც მოიცავს სამყაროს შემდგომი შემეცნებისა და პრაქტიკული გარდაქმნის პროექტებს, მიზნებისა და საშუალებების გაცნობიერებას. ობიექტურ-იდეალ. ფილოს. სისტემაში (პლატონიზმი, შუა საუკ. სქოლასტიკა და ა. შ.) ი-ები მიჩნეულია მატერ. საგანთა პირველსახეებად. XVII—XVIII სს-ში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ი-ის თეორიულ-შემეცნებით მხარეს, მის კავშირს ობიექტურ სინამდვილესთან. ი-ის პრობლემას დიდი ადგილი დაუთმო გერმ. კლასიკურმა იდეალ. ფილოსოფიამ. კერძოდ, ი. კანტი ი-ებს უწოდებდა გონების ცნებებს, რ-ებსაც ჩვენი გრძნობადობის სფეროში არაფერი შეესატყვისება. ი. ფიხტეს მიხედვით, ისინი იმანენტური მიზნებია, რ-თა თანახმად „მე“ ქმნის სამყაროს. გ. ჰეგელისათვის ი-ები არის ობიექტური ჭეშმარიტება, სუბიექტისა და ობიექტის თანამთხვევა.

მარქსისტულ-ლენინური ფილოს. მიხედვით, ი. არის სინამდვილის ასახვის სპეციფ. ფორმა, ი-ები ცდისეულია, სწორად ან დამახინჯებულად ასახავენ სინამდვილეს. ი. არის სინამდვილის თეორიული ათვისების უმაღლესი ფორმა. მასში გამოხატულია სინამდვილის ყოველმხრივი ცოდნა. ი. ობიექტური სინამდვილის ცნობიერებაში ასახვისა და ადამიანის პრაქტ. მიზნების რეალიზაციისათვის მზადყოფნის ერთიანობის გამოხატულებაა.

ი-ის ფილოს. კატეგორიას დიდი მეთოდოლოგიურ-შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. მეცნიერებაში ი-ები, ერთი მხრივ, აჯამებენ ცოდნის ისტ. განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, სინთეზირებული ცოდნის სახით ქმნიან შემდგომი კვლევაძიების საფუძველს, წარმოადგენენ მოვლენათა ახსნის აქტ. ევრისტიკული პრინციპების ერთობლიობას. სოც.-კლასობრივი ფესვების განსხვავების შესატყვისად ი-ები სხვადასხვანაირად ზემოქმედებენ საზ. ცხოვრების განვითარებაზე. რეაქციული ი-ები ამახინჯებენ სინამდვილეს, ამუხრუჭებენ საზ. პროგრესს. მოწინავე სოც. ძალების ი-ები კი პირიქით, სწორად ასახავენ საზ-ბის განვითარების ობიექტურ ტენდენციებს, რაზმავენ მასებს ისტ. პროგრესის განსახორციელებლად.

გ. ასათიანი.

იდეალი (ფრანგ. idéal<ბერძნ. idea — იდეა, პირველსახე), წარმოსახული იდეალური სახე, რ-იც გამოხატავს ადამიანის, კლასების, სოციალური ჯგუფების, მთელი საზ-ბის მისწრაფებისა და მოქმედების უმაღლეს მიზანს, აგრეთვე ამა თუ იმ სფეროსა და მიმართებაში სრულქმნილ რაიმეს, რ-იც საზ-ბის ან ცალკეული ადამიანების მიერ ნიმუშად არის მიჩნეული.

ადამიანის მოღვაწეობის მიზანი და ი. შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: მიზანი კონკრეტდება მოღვაწეობის სტადიების შესატყვისად, ი. კი შედარებით უცვლელია და ასრულებს მოღვაწეობის ორიენტირის ერთგვარ როლს. მაგრამ ამის გამო იგი განუხორციელებელი არ არის. ასეთი სახით არის წარმოდგენილი ი. გერმ. კლასიკურ ფილოსოფიაში. მაგ., ი. კანტის მიხედვით, ი. არის ადამიანთა გვარის წარმოსახული სრულყოფილება, ინდივიდსა და გვარს (საზ-ბას) შორის წინააღმდეგობათა სრული და აბსოლ. გადალახვა. მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი შეუძლებელია, გამორიცხულია ი-ის რეალიზაციაც, რაც ისტორიის დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა. ამიტომ, ი. კანტის მიხედვით, ი. მიუღწეველია, იგი მხოლოდ „მარეგულირებელი იდეაა“, უმეტესად მიზანმიმართულებაა და არა მიზნის სახე, მოღვაწეობის სწორი მიმართულების გრძნობაა და არა მისი შედეგის წინასწარი გარკვევა. მეცნიერებასა და ზნეობაში ი. „წინააღმდეგობათა აღკვეთისა“ და კატეგორიული იმპერატივის სახითაა მოცემული. ამიტომ ამ სფეროებში ი-ის შესატყვისი მდგომარეობის ნათლად წარმოდგენა შეუძლებელია. მხოლოდ ხელოვნებაში არსებობს ი-ის სახე მშვენიერების ფორმით. ამდენად ი. და მშვენიერება სინონიმებია. კანტისა და მისი მიმდევრების (ფ. შილერი, ი. ფიხტე, ფ. შელინგი და სხვ.) ეს თვალსაზრისი საფუძვლიანად გააკრიტიკა გ. ჰეგელმა. მისი აზრით, ი. არის სინამდვილის მომენტი და არა უნიადაგო აბსტრაქცია; ი. „სულის“ — ადამიანის სულიერი კულტ. წინააღმდეგობრივი განვითარების გამოხატულებაა. მეცნიერული ი. მოცემულია ლოგიკის სისტემაში, ზნეობრივი ი. — გონივრული სახელმწიფოს სახით. ამიტომ გ. ჰეგელის მიხედვით, ი. ყოველთვის კონკრეტულია, იგი ხორციელდება ისტორიაში, რ-ის ყოველი საფეხური ი-ის ნაწილობრივ რეალიზაციას ნიშნავს. ი. არის „გვარის“ (კაცობრიობის) მოღვაწეობის კონკრ. მიზნის სახე მისი ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად აითვისეს ჰეგელის დიალექტ. მოძღვრება ი-ზე, ყურადღება გაამახვილეს ი-ის კლასობრივ-წინააღმდეგობრივ წყაროებზე. მათი გაგებით, ი. არის საერთო ამოცანისათვის გაერთიანებულ ადამიანთა მოღვაწეობის მიზანი. იგი ასახავს განვითარებადი სოც. სინამდვილის წინააღმდეგობრივ სიტუაციას ადამიანთა შეგნებაში, ფართო მასების მომწიფებულ, მაგრამ დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებს. ი-ის სახით მასები ქმნიან ისეთი სინამდვილის წინა სახეს, სადაც აღნიშნული წინააღმდეგობები გადაჭრილი იქნება. მაგრამ ი-ში მოხსნილია არა ყველა, არამედ კონკრ. წინააღმდეგობები. ამიტომ იგი არის ადამიანთა შეგნების აქტ. მამოძრავებელი ძალა, რ-იც მათ რაზმავს მომწიფებული კონკრ.-ისტ. ამოცანების გადასაწყვეტად.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა (<ბერმანული იდეოლოგიის> I თავი), რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; მ ა რ ქ ს ი კ., გოთას პროგრამის კრიტიკა, მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1964; Г е г е л ь Г. В. Ф., Собр. соч., т. 5—6, М., 1937—39; К а н т И., Критика эстетической способности суждения, Соч., т. 5, М., 1965; И л ь е н к о в Э. В., Об идолах и идеалах, М., 1968. *გ. ასათიანი.*

იდეალი (მათ.), ერთ-ერთი ძირითადი ალგებრული ცნება. *R* *რგოლის* არაცარიელ *K* ქვესიმრავლეს ეწოდება მარჯვენა (მარცხენა) იდეალი, თუ იქიდან, რომ 1. $a \in K$-ს და $b \in K$-ს, გამომდინარეობს, რომ $a-b \in K$-ს და 2. $a \in K$-ს, გამომდინარეობს, რომ $ar \in K$-ს (შესაბამისად $ra \in K$-ს) *R* სიმრავლის ნებისმიერი *r* ელემენტისათვის. *K* ი-ს ეწოდება ო რ მ ხ რ ი ვ ი, თუ ის ერთდროულად მარჯვენაც არის და მარცხენაც. მაგ., ლუწ რიცხვთა სიმრავლე არის მთელ რიცხვთა რგოლის ი., ამასთან, ორმხრივიც.

იდეალიზაცია (< ფრანგ. idéaliser), ი დ ე ა ლ ი ზ ა ც ი ი ს პ რ ო ც ე ს ი, ცნებათა აზრობრივი კონსტრუირება. ი-თვის დამახასიათებელია რეალური სინამდვილის, საგნებისა და მოვლენების წარმოდგენა წმინდა სახით, მათ ცნებათა შინაარსში მხოლოდ ისეთი ნიშნების შეტანა, რ-ებიც აუცილებელია მათი არსების გასაგებად, და განყენება მათი რეალურად არსებობის პირობებისაგან. ასეთი ცნებაა მაგ., „წერტილი“. რეალურ სინამდვილეში არ მოიპოვება უგანზომილებო ობიექტი; ცნებებით: „სწორი ხაზი“, „აბსოლუტურად შავი სხეული“, „აბსოლუტური ნული“ და სხვ. მოიაზრება ე. წ. იდეალური ობიექტები. ამგვარად შექმნილი ცნებების თეორ.-შემეცნებითი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ვღებულობთ ზუსტ

ფორმულებს, რ-ებშიც კანონზომიერებანი და პროცესები აისახება. ამ თვალსაზრისით O. განუყოფელია მოდელირების მეთოდისაგან (იხ. *მოდელი*).

იდეალიზმი (ფრანგ. idéalisme<ბერძნ. idea—იდეა), ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რ-ის მიხედვით იდეა, აზრი, ცნობიერება არის სამყაროს პირველსაწყისი. იდეალისტების აზრით, კანონზომიერი სამყარო არსებობს მხოლოდ როგორც იდეალური. O. იმთავითვე უპირისპირდებოდა ფილოს.მატერიალიზმს, რ-ის თანახმად, არ არსებობს არავითარი აზრი მატერიის გარეშე. მატერიალიზმისა და O-ის დაპირისპირებაში მთელი ფილოს. ისტორიაა გადმოცემული.

ისტორიულად ჩამოყალიბდა O-ის 2 ძირითადი ფორმა: ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური O-ის მიხედვით იდეა, როგორც სამყაროს პირველსაწყისი, ადამიანისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, სუბიექტური O-ის მიხედვით კი მისი არსებობა შეუძლებელია ადამიანისა და მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. პირველ შემთხვევაში ცნობიერება პიროვნების გარეშეა აღებული, მეორე შემთხვევაში კი ცნობიერებასთან ერთად ყველაფრის პერსონიფიკაცია ხდება. O-ს არ შეუძლია დაძლიოს ეს წინააღმდეგობა, ამ ორი შესაძლო ფორმიდან ერთ-ერთი აირჩიოს. ობიექტური O-ის ჩამოყალიბებულ სახეს წარმოადგენს *პლატონის* ფილოს. სისტემა, კერძოდ, მისი იდეების თეორია. ამ უკანასკნელის გაელენით თითქმის მთელმა შუა საუკ. ფილოსოფიამ ფაქტობრივად ობიექტური O-ის სახე მიიღო. ახ. დროში ობიექტური O-ის კლასიკური წარმომადგენლები იყვნენ გ. *ლაიბნიცი*, ფ. *შელინგი*, გ. *ჰეგელი*. მათგან ობიექტური O-ის ყველაზე სრულყოფილი სახე ჰეგელმა შექმნა. სუბიექტური O-ის კლასიკური წარმომადგენლები არიან XVIII ს. ინგლ. ფილოსოფოსები ჯ. *ბერკლი* და დ. *იუმი*. ჯ. ბერკლიმ უკიდურესად განავითარა სუბიექტური O. და ფაქტობრივად, ერთი მხრით, *სოლიფსიზმის*, ხოლო, მეორე მხრით, ობიექტური O-ის აღიარებამდე მიიყვანა. დ. იუმი და ნაწილობრივ ი. კანტი კი სუბიექტურმა O-მა *აგნოსტიციზმამდე* მიიყვანა.

ამგვარად, O. სხვადასხვა მოდიფიკაციისაა. ეს იმითაა განპირობებული, რომ ცნობიერ პირველსაწყისს სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილავენ. მაგ., ერთნი სამყაროს იდეალურ პირველსაწყისად „მსოფლიო სულს" ან „მსოფლიო ნებას" მიიჩნევენ (პლატონიზმისა და ვოლუნტარიზმის ცალკეული ფორმები). მეორენი—ერთ ან მრავალ „სულიერ სუბსტანციას" (იდეალ.მონიზმისა და პლურალიზმის სხვადასხვა სახე), ზოგიერთის აზრით კი სამყაროს იდეალური პირველსაწყისი საერთოდ მიუწვდომელია (ირაციონალიზმის განშტოებანი). ზოგჯერ ემპირიზმი და სენსუალიზმიც O-ში გადაიზრდება ხოლმე.

ყოველ O-ს თავისი გნოსეოლოგიური და კლასობრივი საფუძველი აქვს. O-ის გნოსეოლოგიური საფუძველია მაგ., პირველყოფილი ადამიანის ანიმისტური და ანთროპომორფისტული შეხედულებანი, ასევე მთელი ჩვენი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქციისა და ფანტაზიის უნარი. ამ მხრივ O. ადამიანის შემოქმედებით შესაძლებლობათა ჰიპოსტაზირების შედეგია. O-ის კლასობრივი საფუძველი კი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება მის კავშირში სოც. ექსპლუატაციასა და რელიგიასთან. თავისი განვითარების ყველა ეტაპზე O. რელიგიასთან ერთად ექსპლუატატორული სისტემის დამცველია. ფაქტობრივად იგი რელიგიის ფილოს. დასაბუთებას წარმოადგენს. ამასთან, დროთა განმავლობაში რელიგიის ფილოს. O-თან დამოკიდებულების შინაარსი ხშირად იცვლება. მაგ., თანამედროვე *ნეოთომიზმი* გარეგნულად ერთნაირად იბრძვის როგორც მატერიალიზმის, ისე სუბიექტური O-ის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ის უფრო ნაკლებ იდეალისტურია, ვიდრე *თომა აკვინელის* მოძღვრება. O. ყველგან და ყოველთვის რელიგიის ერთ-ერთი აუცილებელი ფილოს. საფუძველია. მატერიალიზმი კი რელიგიის სრული ანტიპოდია.

ლიტ.: ენგელსი ფ., ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970; ლენინი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970.

ა. შეროზია.

იდეალური, 1. არა ნივთიერ და ობიექტურ სამყაროში, არამედ მხოლოდ ცნობიერებაში არსებული; 2. ცნობიერებაში ასახული ობიექტური პროცესების, საგნებისა და მოვლენების არსებობის წესი; 3. იდეალიზაციის პროცესის შედეგი, არაცდისეული აბსტრაქტული ობიექტი (მაგ., „აბსოლუტურად ძლიერი", „აბსოლუტურად მყარი სხეული", „ცარიელი სივრცე" და სხვ.); 4. იდეალის შესატყვისი სრულყოფილი რაიმე.

O-ის მრავალი კონცეფცია ზოგადი სახით დაჯგუფებულია მატერიალ. და იდეალ. თვალსაზრისებში. იდეალიზმისათვის დამახასიათებელია O-ის მიჩნევა მატერიისაგან დამოუკიდებელ თვითმყოფ საწყისად, თუმცა იდეალიზმიც მოიცავს თვისებრივად განსხვავებულ შეხედულებებს იდეალურ საწყისზე (O., როგორც საგნთა პირველსახე, როგორც მატერიის პარალელური სუბსტანცია და სხვ.).

განსხვავებით იდეალიზმისაგან მარქსისტული ფილოსოფია ასაბუთებს, რომ O. საგნობრივი, მატერ. სამყაროს ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში, თავისი ბუნებით საზ.-ისტ. მოვლენაა (იხ. აგრეთვე სტატიები: *ასახვა, ფსიქიკა, ცნობიერება*). *გ. ასათიანი.*

იდეალური აირი, აირის თეორიული მოდელი, რ-შიც უგულებელყოფილია ნაწილაკთა ურთიერთქმედება (ნაწილაკთა საშ. კინეტიკური ენერგია ბევრად მეტია მათი ურთიერთქმედების ენერგიაზე). O. ა. ორგვარია: კლასიკური (რ-ის თვისებას კლასიკური ფიზ. კანონები აღწერს) და კვანტური (რ-იც კვანტური მექან. კანონებს ემორჩილება). კლასიკური O. ა. ემორჩილება მდგომარეობის კლაპეირონის განტოლებას $p=nkT$, სადაც p არის წნევა, n — ნაწილაკთა რიცხვი მოცულობის ერთეულში, k — ბოლცმანის მუდმივა, T — აბსოლ. ტემპ-რა.

კვანტურ შემთხვევაში განასხვავებენ O. ა-ის 2 სახეს. ერთი სახის აირის ნაწილაკებს აქვთ მთელრიცხვა სპინი და ემორჩილებიან *ბოზე-აინშტაინის სტატისტიკას*; მეორე სახის აირის ნაწილაკებს კი აქვთ მთელნახევარი სპინი და ემორჩილებიან *ფერმი-დირაკის სტატისტიკას* (იხ. *სტატისტიკური ფიზიკა*).

იდეალური კრისტალი, 1. სრულყოფილი სტრუქტურის კრისტალი, რ-იც მოკლებულია რეალური კრისტალებისათვის გარდაუვალ დეფექტებს. O. კ. თეორიული მოდელია, რ-საც ფართოდ იყენებენ მყარი სხეულის თეორიაში. 2. სრულყოფილი ფორმის კრისტალი, რ-შიც ფიზიკურად ტოლფასი წახნაგები ერთნაირადაა განვითარებული. კრისტალები, რ-ებიც ახლოსაა O. კ-თან, ღაკიდებულ მდგომარეობაში გამოიზრდებიან კარგად არეულ გადაცივებულ ხსნარში (იხ. *მონოკრისტალები*).

იდეალური სითხე, სიბლანტეს მოკლებული უკუმშველი სითხე. O. ს-ში შიგა ხახუნი, ე. ი. ორ მეზობელ ფენას შორის მხები ძაბვა, არ არსებობს. ასეთი იდეალიზაცია დასაშვებია ჰიდროაერომექანიკაში განხილულ დინებათა ბევრ შემთხვევაში; იგი კარგად აღწერს შემოსაგარი მყარი ზედაპირებიდან და უძრავი გარემოს გამყოფი ზედაპირებიდან საკმაოდ დაშორებით სითხეებისა და აირების რეალურ დინებას. O. ს-ის დინების მათ. აღწერა საშუალებას გვაძლევს მოვძებნოთ სხვადასხვა ფორმის არხებში სითხეებისა და აირების მოძრაობის შესახებ ზოგიერთი ამოცანის თეორ. ამოხსნა.

იდენი (Eden), ენტონი, ლორდი ეივონი (Avon) (12. VI. 1897, უინდლსტოუნ-ჰოლი, დერემი, — 1977), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1923—57 თემთა პალატის წევრი. 1935—38, 1940—45, 1951—55 საგარეო საქმეთა მინისტრი. 1939—40 დომინიონების საქმეთა მინისტრი. მონაწილეობდა თეირანის (1943), ყირიმისა და პოტსდამის (1945), აგრეთვე სხვა საერთაშ. კონფერენციების მუშაობაში. 1955 აპრ. — 1957 იანვ. პრემიერ-მინისტრი. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბრიტ. კოლონ. პოზიციების შენარჩუნებას. იყო ერთ-ერთი ინიციატორი ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრ.-ისრაელის აგრესიისა (1956), რ-ის დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო და ჩამოშორებოდა პოლიტ. მოღვაწეობას.

იდენტიფიკაცია (<გვიანდ. ლათ. identifico — ვაიგივებ), იგივეობის აღიარება, ობიექტების გაიგივება, ამოცნობა.

კრიმინალისტიკაში — პიროვნებათა ან საგანთა გაიგივება მათი შედარებითი გამოკვლევის გზით სასამართლო *მტკიცებულების* მისაღებად. მაგ., ბრალდებულის გაიგივება იმ უცნობ პირთან, რ-ის კვალი დარჩა გატეხილ სეიფზე. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება O-ის სხვადასხვა ხერხს (იხ. *სასამართლო ხელმცოდნეობა, ტრასოლოგია, სასამართლო ბალისტიკა*). იმისათვის, რომ კრიმინალისტიკური O-ის შედეგს მტკიცების ძალა ჰქონდეს, იგი პროცესუალური აქტით უნდა იყოს გაფორმებული (მაგ., ამოსაცნობად წარდგენის აქტი).

ქიმიაში — უცნობი ნაერთის შედგენილობისა და აგებულების დადგენა ქიმ. ანალიზისა და ფიზ.-ქიმ. თვისებების მიხედვით და მიღებული შედეგების შედარება ცნობილი ნივთიერების სათანადო მახასიათებლებთან. თუ ყველა მახასიათებელი დაემთხვა, ადგენენ უცნობი და ცნობილი ნაერთის იდენტურობას.

O-ს ხშირად მიმართავენ მათემატიკაში, ტექნიკაში და სხვ., O-ის ძირითადი ამოცანაა სახეთა გამოცნობა, ანალოგიებისა და განზოგადებათა შექმნა და მათი კლასიფიკაცია, ნიშანთა სისტემების ანალიზი და სხვ. O. ამყარებს თანადობას გამოსაცნობ სახესა და მის ანასახს (იდენტიფიკატორს) შორის. იდენტიფიკატორები, როგორც წესი, თანადობაში მყოფი საგნების ნიშნებია; იდენტური საგნები ტოლფასოვნად, ე. ი. ერთი და იმავე აზრისა და მნიშვნელობის მქონედ არიან მიჩნეული.

იდეოგრაფიული დამწერლობა (ბერძნ. idea—იდეა და graphō — ვწერ), დამწერლობის ერთ-ერთი ძირითადი ტიპი, რ-ის ნიშნები — იდეოგრამები — აღნიშნავს საგანთან დაკავშირებულ იდეებს, ცნებებს (მაგ., წრე ○ გამოხატავს არა მარტო „მზეს", არამედ აგრეთვე „დღეს", „სიცხეს", „სინათლეს", „მზის ღვთაებას"). O. დ. დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. O. დ-ის საშუალებით შესაძლებელი იყო სხვადასხვა ხასიათის ტექსტის საიმედო ფიქსაცია, მაგრამ შესწავლისას იგი მოითხოვდა უდიდეს დროსა და შრომას. დროთა განმავლობაში O. დ. შეცვალა დამწერლობის შედარებით გამარტივებულმა და ეკონ. სისტემებმა. იმის გამო, რომ იდეოგრამებს უშუალო კავშირი არა აქვს მეტყველების ფონეტ. მხარესთან, ერთი და იგივე სისტემა შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა ენისათ-



იდეოგრაფიული დამწერლობა. შუმერული იდეოგრამები.

ვის; O. დ-ის ნიმუშები ნაპოვნია ჩრდ. და ცენტრ. ამერ. ინდიელებში, აღდგომის კ-ზე, ჩუკოტკაზე, ჩრდ.-აღმ. ციმბირის იუკაგირებთან. განსაკუთრებით ცნობილია ეგვ., ელამური, შუმერული, პროტოინდ., კრეტული და ჩინ. სისტემები.

ლიტ.: Дирингер Д., Алфавит, пер. с англ., М., 1963; Истрин В. А., Возникновение и развитие письма, М., 1965. *ვ. ანდღლედიანი.*

იდეოლოგია (*იდეა* და *...ლოგია*), იდეებისა და შეხედულებების სისტემა, რ-შიც მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული და შეფასებულია ადამიანების, სოციალური კლასების, ხალხების დამოკიდებულება სინამდვილისა და ერთმანეთისადმი. მოიცავს აგრეთვე სოც. სინამდვილის, არსებული წყობილების განმტკიცებისა და შეცვლის მიზნებს, პროგრამებს.

ტერმ. „O.“ შემოიღო ფრანგმა ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა დესტიუ დე ტრასიმ (1801). მისი აზრით, O., მოძღვრება იდეებზე, სწავლობს იდეათა წარმოშობის ზოგად პრინციპებსა და კანონებს, იგი არის პოლიტიკის, ეთიკისა და აღზრდის მტკიცე თეორ. საფუძველი. ასეთი პოზიტიური თვალსაზრისით აფასებდნენ O-ს ფრანგ. მატერიალ. და სენსუალისტური სკოლის გვიანდ. წარმომადგენლები (პ. ჟ. კაბანისი და სხვ.). შემდგომში O-ის ცნებას უარყოფითი მნიშვნელობით ხმარობდნენ და ფაქტობრივად მმართველი პოლიტ. კასტის ბატონობის თეორ. დასაბუთებასთან აიგივებდნენ (ხ. მორა, ე. ბერკი, ვ. პარეტო და სხვ.).

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ტერმინს „O.“ ხშირად აიგივებდნენ ცნებებთან: „იდეალიზმი“, „იდეალისტური ფილოსოფია“. მათი აზრით, O. არის კონცეფცია, რ-ის მიხედვით სამყარო იდეების, აზრების, პრინციპების პროდუქტია. ამ კონცეფციას შეესატყვისება აზროვნების იდეალ. წესი, რ-ის მიმდევრები ვერ აცნობიერებენ თავიანთი შეხედულებების კავშირს ცხოვრების მატერიალ. პირობებთან, კლასების მდგომარეობასთან და ქმნიან იდეების აბსოლ. დამოუკიდებლობის ილუზიას. „ამიტომ ამ კონცეფციას შეეძლო ისტორიაში დაენახა მხოლოდ მყვირალა პოლიტიკური ქმედობანი და რელიგიური, საერთოდ თეორიული ბრძოლა და ყოველთვის ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის ასახვისას იგი იძულებული იყო ამ ეპოქის ილუზიები გაეზიარებინა“ (მარქსი კ. და ენგელსი ფ., გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1968, გვ. 67—68).

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გაარკვიეს ბურჟ. O-ის, როგორც „ყალბი ცნობიერების“, მექანიზმი, დაასაბუთეს, რომ იდეოლოგიური ილუზიები ნაკარნახევია ცოდნის „დასრულებული“ სისტემის შექმნის უაზრო პრეტენზიებით.

ისტორიის მატერიალ. გაგების საფუძველზე კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს, რომ ცნობიერება აიხსნება არა თავისი თავიდან, არამედ ცხოვრების რეალური პროცესით, რომ იგი არის შეცნობილი ყოფიერება, მისგან დამოუკიდებელია მხოლოდ შედარებით და არა აბსოლუტურად. O-ის მეცნ. ცნების შემდგომი დამუშავების ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინმა, რ-მაც დაასაბუთა, რომ მარქსიზმი არის ნამდვილად მეცნ. O., რ-შიც ორგანულადაა შერწყმული მეცნიერულობა და რევოლუციურობა.

მეცნ. O-ის ცნების შემუშავება ლოგიკურად გულისხმობდა მისი ანალიზის მეთოდის სრულყოფას, O-ის ცნებისადმი როგორც გნოსეოლოგიურ, ისე სოც. მიდგომას. გნოსეოლოგიურად O. არის მეცნ. ან არამეცნ., ჭეშმარიტი ან მცდარი და ა. შ. ასეთი დაყოფიდან გამომდინარეობს მისი სოც.-კლასობრივი ანალიზი, რის შედეგად მტკიცდება, რომ კლასობრივ საზ-ბაში O. ყოველთვის კლასობრივია, დაპირისპირებული კლასების ინტერესთა შესაბამისად იგი არის რევ. ან რეაქციული, პროგრ. ან კონსერვატიული, ინტერნაციონალისტური ან ნაციონალისტურ-შოვინისტური და ა. შ.; ამ ორნაირი საპირისპირო შეფასების მიხედვით, პროგრ. კლასის O. მოიცავს მეცნ. ელემენტებს; ბოლომდე მეცნ. კი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასის O., რ-იც სრულად ასახავს საზ-ბის განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს.

O-ის კლასობრიობა არ ნიშნავს, რომ მას ქმნის მთელი კლასი. ეს უკანასკნელი საკუთარი ინტერესების შეგნებამდე მიდის მხოლოდ პრაქტიკულად. მისი ცხოვრების პირობებიდან უშუალოდ გამომდინარეობს არა O., არამედ მასობრივი ფსიქოლ. შეგნება. O. როგორც კლასის თეორ. შეგნება, იქმნება კლასის წარმომადგენელი იდეოლოგების მიერ. ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ მუშათა კლასის O. წარმოიშობა არა მისი სტიქიური მოძრაობის ზრდის საფუძველზე, არამედ მეცნიერების, კულტურის, მოწინავე საზ. აზრის განვითარების შედეგად. მეცნიერულია მუშათა კლასის შეგნებული და მოწინავე ავანგარდის — მუშათა კლასის პოლიტ. პარტიის O. მასები მოწინავე O-ს ეუფლებიან საკუთარი პოლიტ. გამოცდილების, კომუნიზმისათვის მუშათა კლასის ბრძოლის პრაქტ. წარმატებების საფუძველზე.

თანამედროვე ეპოქაში მეცნ. სოციალ. O. უპირისპირდება რეაქციულ ბურჟ. O-ს, რ-იც ასაბუთებს კაპიტალ. ექსპლუატაციის სისტემის მარადიულობას. ბურჟ. და სოციალ. O-თა შორის ბრძოლა ასახავს პროლეტარიატისა და ბურჟ. კლასობრივ ბრძოლას, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სისტემების დაპირისპირებას.

მეცნ. მარქსისტულ-ლენინური O-ის წინააღმდეგ ბურჟ. იდეოლოგები ქმნიან მითებს თანამედროვე ეპოქის „არაიდეოლოგიური“ სულისკვეთების, საზ. ცნობიერების სხვადასხვა ფორმის იდეოლოგიური შინაარსისაგან განტვირთვის აუცილებლობის, ცნობიერების „დეიდეოლოგიზაციის“ შესახებ. ამ მითების მეშვეობით ბურჟ. O. ცდილობს შენიღბოს საკუთარი ბურჟ.-კლასობრივი ხასიათი და „საერთო-საკაცობრიო“ მოძღვრებად წარმოიდგინოს თავი. ამ მიზნით იგი მოითხოვს კომპრომისს, შემრიგებლობას, „იდეოლოგიურ თანაარსებობას“. მაგრამ ეს მოთხოვნები ვერ ფარავს ბურჟ. O-ის მიზანს — გააძლიეროს თავისი გავლენა მშრომელთა ფართო მასებზე, მოიპოვოს იდეოლოგიური მონოპოლია. ბურჟ. იდეოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების სიჭრელემ და მოჩვენებითმა შინაგანმა ანტაგონიზმმა არ უნდა გამოიწვიოს დაბნეულობა. უნდა გვახსოვდეს, რომ მათი საერთო მიზანია კომუნიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა. ასეთია ბურჟ. O-ის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმძღვანელო ლენინური პრინციპებიდან გამომდინარე დასკვნა.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, წგნ. 1. თბ., 1953; ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; მისივე, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1964; მისივე, [წერილი] ფ. მერინგს. 1893 წ. 14 ივლ., იქვე; ლენინი ვ. ი., მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33; მისივე, რა ვაკეთოთ?, იქვე, ტ. 5; მისივე, რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?, იქვე, ტ. 1; სკკპ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები. დოკუმენტების კრებული (1965—1973), თბ., 1975; გუჯაბიძე პ., ვ. ი. ლენინის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ (1907—1910 წწ.), თბ., 1971; მშვენიერაძე ვ., ანტიკომუნიზმი უმომავლო იდეოლოგიაა, თბ., 1971; Москвичев Л. Н., Теория «деидеологизации»: иллюзии и действительность, М., 1971; Скворцов Л. В., Об особенностях кризиса современной буржуазной идеологии, М., 1970; Социология и идеология, М., 1969. *გ. ასათიანი.*

იდეურობა, იდეების გარკვეული მთლიანი სისტემისა და მისი შესატყვისი სოციალ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და სხვა იდეალების პრინციპული გაზიარება, მათი თანამიმდევრული გატარება თეორიასა და პრაქტიკაში. O. არის აქტ. ცხოვრებისეული პოზიცია, რ-იც გამოხატულია იდეების ცოდნის, მათ სისწორეში დარწმუნებისა და პრაქტ. საქმიანობის ერთიანობით. სხვანაირად, O. ადამიანის მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური მრწამსისა და მისი პრაქტ. კონკრ.-ისტ. მნიშვნელობის მთლიანობის შეგნებაა. მაგრამ ასეთი თანამიმდევრული O. დამახასიათებელია მხოლოდ პროგრ. ძალების წარმომადგენელთათვის, რ-ებიც შეგნებულად ემყარებიან ეპოქის ზეაღმავალ ტენდენციებს და უპირისპირდებიან პროგრესისადმი მტრულ ძალებს. ამიტომ ყველა ეპოქაში მაღალიდეური ძალების ბრძოლა რეაქციის ძალთა წინააღმდეგ პროგრ. და რეაქციულ იდეოლოგიათა შორის ბრძოლის კონკრ. გამოხატულებაა.

O. კონკრეტულად ვლინდება საზ. მოღვაწეობისა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. მისი საპირისპიროა უიდეობა, რ-იც გამოიხატება საზ. ღირებულებებისადმი, ცხოვრებისეული მაღალი იდეალებისა და ნორმებისადმი გულგრილობით, მინდობილი საქმისადმი უპასუხისმგებლობა, დამოკიდებულებით, საერთო-საზ. ინტერესებისაგან განზე განდგომით და სხვ., ე. ი. უიდეობა ეგოცენტრისტული და ინდივიდ. იზოლაციისაკენ ადამიანის მისწრაფების გამოხატულებაა, მას სოც. ფესვები კლასობრივ-ანტაგონისტურ საზ-ბათა ცხოვრების წესებში აქვს გადგმული. O. შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის, გმირობისა და ზნეობრივი სისპეტაკის, ენთუზიაზმისა და პიროვნული სრულყოფის დაუშრეტელი წყაროა. იგი უპირისპირდება ანტიინტელექტუალიზმსა და დოგმატიზმს, რ-ებიც მზა ფორმულებით ხელმძღვანელობენ და ფაქტობრივად გამორიცხავენ შემოქმედებით ძიებას. O-ის განვითარება ისტორიულად უპირისპირდებოდა ანტიინტელექტუალიზმისა და ფანატიკური უიდეობის ისეთ საშიშ გამოვლინებებს, როგორიც იყო ჯვაროსნული ომები, კოლონიალიზმის რასისტულ-შოვინისტური პოლიტიკა, ფაშისტური ბარბაროსობა და სხვ.

O-ის ისტორიულად უმაღლესი ფორმაა კომუნისტური O., რ-იც მოითხოვს კომუნისტური იდეალებისათვის თანამიმდევრულ ბრძოლას, თეორ. მრწამსის პრაქტ. რეალიზაციას. „არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხდება ქცევის ყოველდღიური ნორმა“ (ბრეჟნევი ლ. ი., სკკპ ცკ ანგარიში სკკპ XXV ყრილობას, თბ., 1976, გვ. 106). სწორედ ასეთი პოზიციის შემუშავება არის ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ზნეობრივი აღზრდის ამოცანა. *გ. ასათიანი.*

იდი-ამინ-დადა (Idi-Amin-Dada, ყოფ. ედუარდი), ტბა აღმ. აფრიკაში, მდინარისის აუზში, ზაირისა და უგანდის საზღვარზე. ფართ. 2150 *კმ*², სიღრმე 111 *მ*-მდე. მდებარეობს ტექტონიკურ ღრმულში, 912 *მ* სიმაღლეზე. ტბიდან გამოდის მდ. სემლიკი და ერთვის მობუტუ-სესე-სეკოს (ყოფ. ალბერტის) ტბას. თევზჭერა.

იდილია (<ბერძნ. eidyllion — მცირე ფორმის ლექსი, სურათი სოფლისა და მწყემსების ცხოვრებიდან), მცირე ფორმის პოეტური ნაწარმოები. მისი აღმოცენება უკავშირდება ძვ. ბერძენი პოეტის თეოკრიტეს (ძვ. წ. III ს.) სახელს. რომაულ

ᲘᲓᲘᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ — ᲘᲓᲘᲝᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲘᲓᲘᲝᲛᲐᲢᲘᲙᲐ (ᲑᲔᲠᲫᲜ. idiomatika — თავისებური, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲐ), ᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲜ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲡᲐᲪ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲗᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲠᲩᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡ ᲛᲔᲣᲪᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ „Ი.“ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲐ Ა. *ᲡᲕᲔᲠᲪᲝᲕᲐ*. Ი-ᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲗᲐ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲜᲐᲧᲝᲤᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲣᲠ ᲨᲢᲝᲓ (ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲐᲪᲘᲐ). ᲐᲠᲩᲘᲕᲔᲜ Ი-ᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ: ᲐᲚᲝᲛᲝᲠᲤᲝᲖᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲚᲝᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡ (ᲨᲔᲯᲣᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢ-ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲜᲐᲠᲒᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ), ᲢᲔᲚᲝᲠᲤᲝᲖᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲢᲔᲚᲔᲝᲚᲝᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡ (ᲣᲙᲘᲓᲣᲔᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲙᲝᲜᲙᲠ. ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡᲐᲛᲓᲔ) ᲓᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ, ᲰᲘᲞᲔᲠᲛᲘᲠᲤᲝᲖᲘᲡ ᲐᲜᲣ ᲰᲘᲞᲔᲠᲒᲔᲜᲔᲖᲘᲡ (ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲖᲝᲒᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲪᲮᲝᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡᲗᲐᲜᲐᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ). ᲨᲓᲠ. *ᲐᲠᲝᲛᲝᲠᲤᲝᲖᲘ, ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐ*. *Ლ. ᲜᲐᲗᲐᲫᲔ.*

ᲘᲓᲘᲝᲚᲔᲥᲢᲘ [ᲑᲔᲠᲫᲜ. idios — თავისი, ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲓᲐ (*ᲓᲘᲐ*)*ᲚᲔᲥᲢᲘ*], ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲝᲑᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲠᲝᲕᲔᲜᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒ. ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲙᲣᲗᲮᲣᲠ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲘᲓᲘᲝᲛᲘ, 1. ᲘᲓᲘᲝᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐ, ᲤᲠᲐᲖᲔᲝᲚᲝᲒᲘᲖᲛᲘ, ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲐ (ᲤᲠᲐᲖᲐ), Რ-ᲘᲪ ᲡᲔᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲓᲘᲡ: „ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲐᲤᲨᲘᲪᲐ“ — ᲛᲝᲙᲕᲓᲐ; „ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲙᲓᲐ“ — ᲨᲔᲣᲔᲛᲘᲜᲓᲐ. Ი-ᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲗᲘ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ. „ᲤᲔᲮᲔᲑᲘ ᲘᲗᲠᲔᲕᲡ“ ᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲔᲡ: ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲜᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲓᲠᲝᲛᲝᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲕᲘᲗ ᲐᲬᲔᲕᲔᲗ ᲙᲘ ᲔᲬᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲠᲘᲕᲘᲗ ᲛᲘᲐᲪᲕᲘᲡ. ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲗᲘ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ — ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲒᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ. ᲒᲐᲚᲐᲢᲐᲜᲘᲗᲝᲑᲐ ᲒᲐᲚᲐᲚᲐᲠᲘᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲗᲣ ᲘᲓᲘᲝᲛᲐᲢᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲒᲔᲑᲐ. 2. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ (ᲙᲘᲚᲝ, ᲘᲚᲝᲒᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.).

ᲚᲘᲢ.: ᲤᲝᲩᲮᲣᲐ Ბ., *ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ*, ᲗᲑ., 1974. *Ბ. ᲤᲝᲩᲮᲣᲐ.*

ᲘᲓᲘᲝᲡᲘᲜᲙᲠᲐᲖᲘᲐ (ᲑᲔᲠᲫᲜ. idios — ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲬᲘᲕᲔᲣᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲨᲔᲠᲔᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ; idiokrasis — ᲐᲚᲠᲔᲕᲐ), ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲯᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲐ. 2. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ (ᲙᲘᲚᲝ, ᲘᲚᲝᲒᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.).

ᲚᲘᲢ.: ᲤᲝᲩᲮᲣᲐ Ბ., *ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ*, ᲗᲑ., 1974. *Ბ. ᲤᲝᲩᲮᲣᲐ.*

ᲘᲓᲘᲝᲡᲘᲜᲙᲠᲐᲖᲘᲐ (ᲑᲔᲠᲫᲜ. idios — ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲬᲘᲕᲔᲣᲚᲝᲛ ᲓᲐ ᲨᲔᲠᲔᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ; synkrasis — ᲐᲚᲠᲔᲕᲐ), ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲯᲜᲔᲚᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲨᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲣᲠᲘ

ი. იედლიჩკა.

იეთიმ გურჯი.

ზღვაოსნობას და სხვ. (თითქმის ყველა თავი მთავრდება მოცემულ რ-ნში ნაპოვნი მწერების სიით).

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., Тб., 1946, с. 101—103.

იედლიჩკა (Jedlička) იარომირ (9. X. 1901, პრაღა, — 1. VIII. 1965, იქვე), ჩეხი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. დაამთავრა პრაღის უნ-ტის ინგლ. და სლავ. ფილოლ. განყ-ბა. ჯერ პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1946—48), შემდეგ პრაღის უნ-ტში (1953—61) ასწავლიდა ქართ. ენას. ჩეხურ ენაზე თარგმნა ვეფხისტყაოსანი (1958 გამოქვეყნდა პოემის პროზაული, ხოლო შემდეგ პოეტური თარგმანი), ს.-ს. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის თხზულებანი, ქართ. ხალხ. ზღაპრები და სხვ. ი. იკვლევდა ძვ. და თანამედროვე ქართ. ენას. გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართ. ენის მორფოლოგიის საკითხებზე („ძველი ქართული ენის სტრუქტურა", 1961; „სიტყვაწარმოება და ბრუნება ძველ ქართულში", 1963 და სხვ.). ი. ეხმაურებოდა ქართვ. ენათმეცნიერთა საქმიანობას (წერილები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის, საქართველოში ძვ. ქართ. ენის, აგრეთვე აფხ. ენის შესწავლის მდგომარეობის შესახებ), აქვეყნებდა რეცენზიებს საბჭ. და უცხოელი კავკასიოლოგების ნაშრომებზე.

თხზ.: ჩეხური ენა. ჩეხური ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, თბ., 1972.

ლიტ.: ბარამიძე ა., იარომირ იედლიჩკა საქართველოში, «ლიტერატურული გაზეთი», 1957, 28 ივნ.; ლეონიძე გ., მეგრელიძე ი., ქართული კულტურის მეგობარი, «კომუნისტი», 1965, 18 აგვ.; მეგრელიძე ი., ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები. იარომირ იედლიჩკა, «სამშობლო», 1970, 14 აგვ.; Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie, v. 21—22, P., 1966.

ი. მეგრელიძე.

იეზდი, ქალაქი ირანში. 111 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო, კვების მრეწველობა. ხალიჩების, აბრეშუმის ქსოვილების და სხვ. შინამრეწველური წარმოება.

იეზეკიელი, XII ს. ქართველი სასულიერო პოეტი. ფიქრობენ, რომ ბერი იყო. ანტონ I „წყობილსიტყვაობაში" (XVIII ს.) უწოდებს მას „საკვირველ პიიტიკოსს, ღმრთის-მეტყველ-რიტორს, ჭეშმარიტ ფილოსოფოსს" და იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის „თანასწორად" მიიჩნევს. ი-ს თვლიან იოანე პეტრიწის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად. ჩვენამდე მოაღწია მისმა სამმა იამბიკომ, აქედან ორი აკროსტიქულია.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, შედგ. ი. ლოლაშვილის მიერ, თბ., 1978.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ლოლაშვილი ი., იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, წგნ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968. *ი. ლოლაშვილი.*

იეზიდები (საკ. სახელწ. ეზდი), ქურთების ნაწილი, რ-იც აღიარებს განსაკუთრებულ რელიგიას. ცხოვრობენ უმთავრესად ერაყში, თურქეთში, აგრეთვე სირიაში, ირანსა და სსრკ-ში (საქართველოში — თბილისში, მცირე ნაწილი — თელავში). ი-ის საერთო რაოდენობა — 150 ათ-ზე მეტი (1969), ლაპარაკობენ კურმანჯიზე — ქურთებში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე. რელიგია — სინკრეტულია, ახლოს დგას ძვ. ირანულ სარწმუნოებასთან — ზოროასტრიზმთან, ამავე დროს მასში ასახულია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტები. იეზიდური რელიგ. ფეძემდებლად ითვლება შეიხი ადი (XII ს.), რ-საც ი. თავიანთ წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. აღიარებენ ერთიან ღმერთს და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზს — მალაქ-ტაუსს, რ-იც წარმოდგენილი ჰყავთ ფარშავანგის სახით; აგრეთვე მზეს, განსაკუთრებით ამომავალ მზეს. იყოფიან საერო (მიურიდები) და სას. (თარიყები, რუჰანი) კასტად. სას. კასტა შედგება მაღალი წოდებისა (ემირი, შეიხი, ფირი) და დაბალი წოდებისაგან (ყავალი). ცნობები მათი საზ. წყობისა და რელიგიის შესახებ გადმოცემულია მათსავე რელიგიურ წიგნებში: „გამოცხადების წიგნი" („ქითაბი", „ჯილვა"), „შავი წიგნი" („მასხავი რაში"), რ-ებიც საიდუმლო შრიფტითაა დაწერილი. ი-ის ერთადერთი საკულტო ნაგებობა შეიხ ადის ტაძარი და მისი საფლავია (ერაყი, ლალეში).

ლიტ.: Вильчевский О. Л., Очерки по истории езидства, «Атеист», 1930, № 51; Егиазаров С. А. (сост.). Краткий этнографическо-юридический очерк езидов Эриванской губернии, «Записки Кавк. отдела Рус. геогр. об-ва», 1884, кн. 13, в. 2. *ლ. ფაშაევა.*

იეზუიტები, კათოლიკური მონაზვნური ორდენის („იესოს საზოგადოება", ლათ.— „Societas Jesu") წევრები. ორდენი დააარსა ი. *ლოიოლამ* 1534 პარიზში, 1540 დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ. ორდენი კონტრრეფორმაციის მთავარ იარაღად იქცა. მიზნად ისახავდა კათოლიციზმის დაცვასა და გავრცელებას, პაპის ხელისუფლების განმტკიცებას. ი. აქტიურად ერეოდნენ მეცნ. საკითხებში, განათლებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ორდენი აგებულია მკაცრი დისციპლინისა და ცენტრალიზაციის პრინციპებზე, მოითხოვს უფროსისადმი უმცროსის უსიტყვო მორჩილებას, ორდენის ხელმძღვანელს — გენერალს ირჩევენ მუდმივად, იგი უშუალოდ რომის პაპს ემორჩილება.

სხვა კათოლ. ორდენებისაგან განსხვავებით, ი-თვის სავალდებულო არ არის მონაზვნური ტანსაცმლის ტარება, ღვთისმსახურებაზე დასწრება. დავალებათა წარმატებით შესასრულებლად ნება ეძლევათ დამალონ ორდენის წევრობა და სხვ. XVI ს-ში ევრ. ქვეყნების გარდა ი. დამკვიდრდნენ ინდოეთში, ფილიპინებზე, ლათ. ამერიკაში. ი. ისე აქტიურად ერეოდნენ ევრ. ქვეყნების პოლიტ. ცხოვრებაში, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს (პორტუგ., საფრ., ესპ. და სხვ.) მთავრობა XVIII ს-ში იძულებული გახდა ორდენის წევრები თავიანთი ქვეყნიდან განედევნა (რუსეთიდან ი. ორჯერ — 1719 და 1820 — გააძევეს). 1773 პაპი კლემენტი XIV იძულებული გახდა ფორმალურად გაეუქმებინა ორდენი. რესტავრაციის ხანაში ი-ის ორდენი ოფიციალურად აღადგინეს (1814); იგი დღესაც განაგრძობს არსებობას.

ლიტ.: Тонди А., Иезуиты, пер. с итал., М., 1955.

იეზუიტთა სახელმწიფო პარაგვაიში (1610—1768), დააარსეს იეზუიტებმა ინდიელების ექსპლუატაციის მიზნით. ინდიელების პირველი დასახლებები — რედუქციები (რ-ებისთვისაც დამახასიათებელი იყო პატრიარქალურ-გვაროვნ. ურთიერთობა და მონობის ელემენტები) იეზუიტთა ორდენის ფეოდ. ორგანიზაციის ფილიალს წარმოადგენდა. ინდიელები იეზუიტებისათვის უზარმაზარ სიმდიდრეს ქმნიდნენ (ორდენის საშ. წლიური შემოსავალი 3 მლნ. დოლარს უდრიდა). ცხოვრების აუტანელი პირობები, მძიმე შრომა, ომები ანადგურებდა ინდიელებს; თუ XVII ს-ში რედუქციებში 150 ათ. ინდიელი ცხოვრობდა, 1739 მხოლოდ 74 ათასი დარჩა. იეზუიტების სიმდიდრემ და გაზრდილმა ძალაუფლებამ პარაგვაისა და ესპ. სხვა კოლონიებში შეაშფოთა ესპ. ხელისუფლება; 1768 იეზუიტები განდევნეს ესპ. ამერ. კოლონიებიდან.

იეთიმ გურჯი (ნამდვ. სახელი და გვარი იეთიმ იბრაჰიმის ძე დაღლიშვილი) (1875, თბილისი, — 15. VII. 1940, იქვე), ქართველი სახალხო მომღერალი-მელექსე, თბილისური აშუღური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი. 1905—07 რევ. დროს ბაქოს ნავთ[illegible] სარეწებში მუშაობდა, მონაწილეობდა [illegible] შათა დემონსტრაციებში, რისთვისაც [illegible] წელი პატიმრობაში გაატარა 1895-ი[illegible] თხზავდა ლექსებს ქართ., სოხ., აზერ[illegible] ენებზე. პირველი წიგნი — პოემა „ანა[illegible] ჯის ლექსი" — 1909 გამოვიდა, ლექს[illegible] კრებ. „ახალი მგოსანი და სიმღერები[illegible] 1911, „იეთიმის ახალი ლექსები" — 191[illegible] „ტანგო" — 1914 და სხვ. 1928 ი. გრ[illegible] შაშვილმა, ხოლო 1958 ა. თევზაძემ [illegible] მოსცეს პოეტის „რჩეული ლექსები".

ი-ის ლექსები უმთავრესად სიმღერებ[illegible] სახით ვრცელდებოდა, რ-ებსაც თვითონ[illegible] ქმნიდა და ასრულებდა კიდეც. მის პოე[illegible] აში ასახულია ქალაქის მუშების, ხელ[illegible] ნების, რევ. მომხრე წვრილი ვაჭრებ[illegible] და გლეხობის მისწრაფებანი, სიმართლ[illegible] იდეალები და თბილისური ბოჰემის გ[illegible] წყობილება.

თხზ.: რჩეული ლექსები, თბ., 1960; ლ[illegible] სები, თბ., 1979.

ლიტ.: გრიშაშვილი ი., თხზ[illegible] ლებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. 3, თ[illegible] 1963; ხალხური მწერალი ეთიმ-გურჯი, «[illegible] ატრი და ცხოვრება», 1924, № 20 (კრიპ[illegible] ვ. ბ.). *გ. იმედაშვილ[illegible]*

იეიტსი (Yeats) უილიამ ბატლერ (1[illegible] VI. 1865, სანდიმაუნტი, დუბლინის მ[illegible] ლობლად, — 28. I. 1939, როკბრიუნ[illegible] საფრანგეთი, 1948 მისი ნეშტი გადასვ[illegible] ნეს სლაიგოუში, ირლანდია), ირლანდ[illegible] ლი პოეტი და დრამატურგი. ნობელის პრ[illegible] მიის ლაურეატი (1923). სწავლობდა დუ[illegible] ლინისა და ოქსფორდის უნ-ტებში. 18[illegible] ლონდონში დააარსა ირლ. ლიტ. სა[illegible] ბა, დუბლინში — ირლ. ეროვნ. საზ-[illegible] 90-იან წლებში მონაწილეობდა „ირლ[illegible] დიური ლიტერატურის აღორძინები[illegible] მოძრაობაში. 1899 საფუძველი ჩაუყ[illegible] ირლ. ლიტ. თეატრს დუბლინში, იყო „[illegible] თიეტრის" ერთ-ერთი დირექტორი. 19[illegible] ბ. *შოუსთან* ერთად ჩამოაყალიბა ირ[illegible] ლიტ. აკადემია. ი. თავის შემოქმედება[illegible] მიზნად ისახავდა ფრანგ. სიმბოლიზმის [illegible] თეტიკისა და ირლ. ფოლკლორული თე[illegible] ბისა თუ სახეების სინთეზს, რაც პირველ[illegible] გამოვლინდა პოემა „ოიზინის ხეტიალ[illegible] (1889). თეორ. წერილებში მოითხოვ[illegible] ევრ. მოდერნიზმისა და ეროვნ. მითოლ[illegible] გიის შერწყმას, რითაც ქართვ. „ცისფ[illegible] ყანწელებს" მოგვაგონებს. გატაცებულ[illegible] იყო ნეოპლატონიზმით, ეზოტერიკულ[illegible] მოძღვრებითა და ინდ. თეოლოგიით. ი-[illegible] პიესებიდან აღსანიშნავია: „სურვილ[illegible] (1907), „კატა და მთვარე" (1926) [illegible] სხვ. 1904—14 ი-ის შემოქმედებაზე გა[illegible] კვეული გავლენა იქონია ე. *პაუნდ*[illegible] დაახლოებამ და *მეტაფიზიკური პოე*[illegible] *ის* გაცნობამ (კრებულები „მწუხარებ[illegible] ჟამს დაწერილი ლექსები", 1913; „მოგ[illegible] ლეობანი", 1914). ი-ს ეკუთვნის მრავ[illegible] ლი ესეი პოეზიისა და თეატრის შესახებ[illegible] წიგნი „ავტობიოგრაფია" (1926) და სხ[illegible]

თხზ.: Autobiographies, L., 1956; T[illegible] variorum edition of the plays, N. Y., 196[illegible] [წიგნში] ინგლისური ბალადები, სიმღერ[illegible] ბი და ლექსები, თბ., 1946.

ლიტ.: История зарубежной литерат[illegible] ры XX века, М., 1963; Stock A. G[illegible] W. B. Yeats. His poetry and though[illegible] Camb., 1961.

იელი (Rhododendron luteum), ზა[illegible] ხულმწვანე ბუჩქი როდოდენდრონის გვ[illegible] რისა. სიმაღლე 2 *მ* აღწევს. აქვს სურ[illegible] ლოვანი დიდი, წინწკლებიანი ყვითელ[illegible] ან ნარინჯისფერი ყვავილები. გავრ[illegible] ლებულია ცენტრ. და აღმ. ევროპაში[illegible] ბალკანეთსა და მცირე აზიაში; სსრკ-[illegible] კავკასიასა და უკრაინაში. თითქმას მთე[illegible] საქართველოში გვხვდება, უფრო კოლ[illegible] თში. იზრდება ზ. დ. 2000 *მ*-მდე ქვეტყ[illegible] ტყის პირებზე. სუბალპურ სარტყელ[illegible] ქმნის ბუჩქნარს — ი ე ლ ი ა ნ ს. ყვავ[illegible] ლობს ფოთლის გამოტანამდე ან მასთ[illegible] ერთად აპრილ-ივნისში. დეკორატიულ[illegible] ყვავილობისას ან შემოდგომაზე თავი[illegible]

თურქეთი (I). **1.** ვანის ტბის სანაპირო. **2.** ანატოლიის ნი. **3.** ეროზიული რელიეფი ქ. ურგუფის მიდამოებში. ალვენთი წარმონაქმნები ანატოლიის ზეგნის სამხრეთ-ვლეთ ნაწილში. **5.** ანკარა. ყიზილაის მოედანი. **6.** იზ-ი. ქალაქის ნაწილის ხედი. **7.** ადანა. საფეიქრო ფაბრი-**8.** თამბაქოს ფოთლის კრეფა. **9.** ტ. ჯ ა ნ ს ე ვ ე რ ი. ქეთის ისტორიული საზოგადოების შენობა. 1966. **10.** ე. ა თ ი და ა. ა რ ა დ ი. ათათურქის მავზოლეუმი. დამ-ულდა 1953. **11.** ს ი ნ ა ნ ი. მეჩეთი სელიმიე. ედირნე. 1569–75 (9, 10 — ანკარა).









სტ. *თურქეთი* (II). **1.** მეჩეთი ულუ-ჯამი (დიდი). 1396—1400. ბურსა. **2.** მ ე ჰ მ ე დ ა ღ ა. მეჩეთი აჰმედიე. 1609—17. სტამბოლი. ინტერიერი. **3.** მედრესე. ინჯე მინარი. 1258. კონია. პორტალი. **4.** მ. პ ე ფ გ უ ლ ე რ ი და სხვ. სასტუმრო „სტადი". 1970. ანკარა. **5.** ხ. გეზერი. „მოიელის სიყვარული". თაბაშირი. 1960-იანი წლები. **6.** ს ი ნ ა ნ-ბ ე ი. „მეჰმედ II". XV ს. თოფქაფის სასახლის მუზეუმი. სტამბოლი. **7.** ტ. ზ ა ი მ ი. „ურუქები". 1950-იანი წლები. **8.** ჯ. ტ ო ლ უ. „მწყემსები". 1963. **9.** პ. ა ლ ი ფ ი ე ი. ავტოპორტრეტი. 1908. (5, 8. 9—ფერწერისა და ქანდაკების მუზეუმი. სტამბოლი).













სტ. *თურქმენეთის სსრ* (I). **1.** „სარაჯის" ჯიშთსაშენის საცოვრები. სამხრეთ-აღმოსავლეთი ყარაყუმი. **2.** ბამბის ნათესები. ქ. მარის რაიონში. **3.** ყარაყუმის უდაბნო. **4.** ქ. ქუშქა. **5.** კრასნოვოდსკი. ქალაქის ერთ-ერთი უბანი. **6.** დასასვენებელი სახლი. „ქოფეთდაღი". დაბა ფირუზა. **7.** კოლმეურნეობა „საბჭოთა თურქმენეთი". **8.** ვ. ვისოტინი. „თურქმენინფორმის" შენობა. 1970, აშხაბადი. **9.** სანატორიუმ „ბაირამალის" მთავარი კორპუსი. **10.** მოქანდაკე ე. ტრიპოლსკაია, არქიტექტორი ა. კარელინი, კერამიკოსი ნ. ნაზაროვი. ვ. ი. ლენინის ძეგლი. ბრინჯაო. მაიოლიკა. 1927. აშხაბადი. **11.** ა. აფანასიევი, ე. რაევსკაია. თურქმ. კპ ცკ-ის შენობა. 1952—55. აშხაბადი. **12.** არქიტექტორები ვ. ათაევი, ლ. სოლიანიკი, მოქანდაკე კ. იარმამედოვი. 1941—45 დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ძეგლი. რკინაბეტონი. ქვა. 1970. ქ. მარი.



სტ. *თურქმენეთის სსრ* (II). **1.** მეჩეთის პორტალი. მეშედი-მისრიანი. XIII ს. დასაწყისი. **2.** სუფის დინასტიის მავზოლეუმი („თურაბეკ-ხანუმი"). XIV ს. 60-იანი წლები. **3.** თეკეშის მავზოლეუმი. XII ს., II ნახევარი. **4.** კადრი ფილმიდან „რძალი". რეჟისორი ხ. ნარლიევი. 1971. **5.** სცენა ა. ალაგიოვის ბალეტიდან „ფირუზა". 1975. **6.** სცენა ბ. აბანოვის „მოლანეფესიდან". 1963. **7.** დ. ჯუმადურდი. „ფიქრი". ჭედილი სპილენძი. 1970—71. **8.** ა. პაჯიევი. მაქთუმყულის პორტრეტი. 1947. **9.** ი. კლიჩევი. „ხვალ ლესასწაულია". 1972. სსრკ მხატვართა კავშირი. მოსკოვი. **10.** კ. ბექმურადოვი. „დადუმებულთა გამოლვიძება". 1968. **11.** „თეკე-გოლის" სახიანი ხაოიანი ხურჯინი. XX ს. **12.** აბრეშუმით ნაქარგი თეკური „ჩირფი" (ქალის სადლესასწაულო ტანსაცმლის დეტალი) XX ს. (2,3 კუნია-ურგუნჩი; 7, 8, 10 — თურქმენეთის სსრ სახვითი ხელოვნ. მუზეუმი. აშხაბადი).





ს ტ. *იაპონია* (I). **1.** ასამა. მოქმედი ვულკანი კ. ჰონსიუს ცენტრალურ ნაწილში. **2—3.** ბრინჯის ნათესები დატერასებულ კალთებზე. **4.** ვულკანური ტბა კაკაიუ კ. ჰოკაიდოს ჩრდ.-აღმ. ნაწილში. **5.** იაპონიის შიგა ზღვა. **6.** ხვთობსარეწი ქ. აკიტის მახლობლად. **7.** ტოკიო. ქალაქის ერთ-ერთი რაიონი.





სტ. იაპონია. (II). **1.** ციხე-დარბაზი. XVI ს. პიროსიმა. **2.** კუნძული მიაბიმა (წმ. კუნძული). სანტოისტური ტაძარი. შუა საუკუნეები. **3.** წმ. მარიამის კათოლიკური ტაძარი. 1963-64. ტოკიო. **4.** სტატუა „კანონი". პირიუ-ძის ტაძარი. ხე. VII ს. **5.** ბუდას სტატუა. კამაკურა. ბრინჯაო. 1252. **6.** კ ა ნ ო მ ო ტ ო ნ ო ბ უ. „ჩანჩქერი". XVI ს. დეიძენინის მონასტერი. კიოტო. **7.** პ ა რ უ ნ ო ბ უ. „ქარი". 1767. ფერადი გრავიურა ხეზე. **8.** პ ო კ უ ს ა ი. „პოეტ ტობოს განდევნა". სერიიდან „ჩინეთისა და იაპონიის პოეტები". 1830. ფერადი გრავიურა ხეზე. **9.** ტ ო კ ი ს ო. ა კ ა მ ა ც უ. ი რ ი მ ა რ უ კ ი. „პიროსიმის ატომური დაბომბვის საშინელებანი". 1954. ფრაგმენტი. **10.** პ ო კ უ ს ა ი. „ფუძი წვიმაში. ირემი". სერიიდან „ფუძის ასი ხედი" (ორი ეამოსახულება ერთ ფურცელზე). 1834—35. გრავიურა ხეზე. **11.** კადრი ფილმიდან „უმ-ზეო ქუჩა". რეჟ. ს. იამომოტო. 1954.





სტ. *ინდოეთი* (I). **1.** ჰიმალაის მთების სამხრეთი კალთა. **2.** ქ. უდაიპური (რაჯასტანის შტატი). **3.** სანაპირო ნაოსნობა სამხრეთ ინდოეთში ქ. კოჩინის (კოჩი) მახლობლად. **4.** კალკუტის ნავსადგური მდ. ჰუგლიზე. **5.** ტბა პერიიარი. სამხრეთი ინდოეთი. **6.** ბრინჯის მოსავლის აღება. **7.** საკრებულო მეჩეთი. აჰმადაბადი. 1424. **8.** ლალ-კილის (წითელი ფორტი) ციხესიმაგრე. დელი. XVII ს.



სტ. *ინდოეთი* (II). **1.** ტაძარი №17. V ს. სჩანი. **2.** კაილასანათას ტაძრის ცოკოლი. 725—755. ელორა. **3.** ‘ჩივა მაპადევას სამსახოვანი ბიუსტი. ტაძარი კ. ელეფანტზე. VIII ს. **4.** სტუპა №1. გალავნის აღმოსავლეთის კარი. ძვ. წ. I ს. ფრაგმენტი. სანჩი. **5.** ‘ჩივას ტაძრის გოპურამი. XVI მადურაი. **6.** გამოქვაბული ტაძარი. VIII ს. ელორა. **7.** „ბუდას დაბადება“, აჯანტის ტაძრის (‘ამოქვაბული № 2) მოხატულობა. V ს.—VI ს. დასაწყისი. ფრაგმენტი. **8.** სტუპა № 1. ძვ. წ. III—II სს. (გალავანი ძვ. წ. II ს., კარი—ძვ. წ. I ს.). სანჩი. **9.** ‘ ‘. დ ა ს ი. „მტრედების წყვილი“. ფერადი გრავიურა ხეზე. 1940—50-იანი წლები. **10.** ფ ა რ უ ხ ბ ე გ ი. „აქბარნამეს“ ილუსტრაცია. მოგოლური მინიატიურა. 1600. ალბერტისა და ვიქტორიას მუზეუმი. ლონდონი. **11.** სცენა სპექტაკლიდან „რამაიანა“. „ბპარატი კალა კენდრის“ დასი. დელი. **12.** ა. შ ერ-გ ი ლ ი. „საპატარძლოს მოროვა“. 1937. თანამედროვე ხელოვნების ეროვნული გალერეა. დელი. **13.** კადრი ფილმიდან „საგინა მაჰატო“. რეჟ. ტ. სინგჰი. 1971.

,ამკაშა წითლად შეფერილი ფოთლების ,ამო. მისი ყველა ნაწილი შხამიანია. ,ულტურაში ცნობილია Ი-ის მრავალი იბრიდული ჯიში. *ᲗᲐ. ᲡᲐᲮᲝᲙᲘᲐ.*

ᲘᲔᲚᲘ, სოფელი მესტიის რ-ნში (იფარის ოფსაბჭო), უღვირის ქედის სამხრ. კალ-ᲘᲐᲖᲔ, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ*, მესტიიდან 15 *კმ*. იფარის მეცხო-ᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკო-ᲣᲐ, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

ᲘᲔᲚᲘᲜᲔᲚᲘ (Jellinek) გეორგ (16. VI. 851, ლაიფციგი, — 12. I. 1911, ჰაიდელ-ᲔᲠᲒᲘ), გერმანელი მეცნიერ-იურისტი. ᲔᲜᲘᲡ (1883-იდან), ბაზელის (1889) და ᲰᲐᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲘᲡ (1891-იდან) უნ-ტების პრო-ᲤᲔᲡᲝᲠᲘ. იურიდ. პოზიტივიზმის წარმომად-ᲒᲔᲜᲔᲚᲘ. იკვლევდა სახელმწ. და საერ-ᲘᲐᲨ. სამართ. ძირითად საკითხებს. ერთ-ᲡᲐᲮᲔᲗᲘᲡ უპირისპირებდა საზ. მოვლენათა „სოციალურ“ და „სამართლებრივ“ შეს-ᲬᲐᲕᲚᲐᲡ. იურისპრუდენციის მთავარ ამო-ᲪᲐᲜᲐᲓ მიაჩნდა პრაქტ. საქმიანობისათვის ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ სამართ. ნორმების ფორ-ᲛᲐᲚᲣᲠ-დოგმატური ანალიზი. წამოაყენა ᲘᲣᲠᲘᲓ.-ᲚᲘᲑᲔᲠ. კონცეფცია, რ-იც ითვალის-ᲬᲘᲜებდა სახელმწიფოს თვითშეზღუდვას ᲚᲘᲡ მიერვე გამოცემული ნორმებით. სახელ-ᲛᲬᲘᲤᲝᲡ თვითშეზღუდვის იდეას პროგრ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ჰქონდა გერმ. მონარქიული ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ პირობებში.

ᲘᲔᲚᲘᲜᲡᲚᲔᲕᲘ (Hjelmslev) ლუი (3. X. 1899, კოპენჰაგენი, — 30. V. 1965, იქვე), დანიელი ენათმეცნიერი. 1923 დაამთავრა ᲙᲝᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ უნ-ტი. 1937-იდან იყო კო-ᲞᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲡ უნ-ტის პროფესორი და შედარე-ᲑᲘᲗᲘ ენათმეცნ. კათედრის გამგე. 1931 ᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ჩაუყარა კოპენჰაგენის სტრუ-ᲥᲢᲣᲠᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ წრეს. Ი-მა შექმნა ლინგ-ᲕᲘᲡᲢᲣᲠᲘ თეორია, რ-საც *გლოსემატიკა* ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲐ. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნა-ᲕᲘᲐ: „ზოგადი გრამატიკის პრინციპები“ (1928), „ბრუნვის კატეგორია“ (1935—37), „ენის თეორიის პროლეგომენები“ (1943), „ენა“ (1963).

ᲚᲘᲢ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ი., კოპენჰა-ᲒᲔᲜᲘᲡ სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავა-ᲚᲘ პრინციპები, თბ., 1974; ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა Ვ., ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 2 — ძი-ᲠᲘᲗᲐᲓᲘ პრობლემები, თბ., 1945.

ᲘᲔᲚᲝᲣᲡᲢᲝᲣᲜᲘ (Yellowstone), მდი-ᲜᲐᲠᲔ აშშ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში, მისუ-ᲠᲘᲡ მარჯვ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 1600 *კმ*, აუზის ფართ. 182,3 ათ. *კმ*², ᲙᲐᲗᲐᲕᲔ აქვს კლდოვან მთებში. ზემოთში ᲕᲘᲔᲓᲘᲜᲘᲡ 360 *მ* სიღრმის კანიონში და ᲐᲩᲔᲜᲡ ჩანჩქერს. შუაწელში და ქვემო დი-ᲜᲔᲑᲐᲨᲘ ვაკის მდინარეა. საზრდოობს თოვ-ᲚᲘᲡᲐ და წვიმის წყლით. წყალდიდობა ᲐᲪᲘᲡ გაზაფხულზე და ზაფხულში. წყლის ᲡᲐᲨ. ხარჯი 365 *მ*³/*წმ*. ზემოთში მიედ-ᲠᲔᲑᲐ იელოუსტოუნის ეროვნ. პარკის ტე-ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ. მონტანის შტატში იყენებენ ᲓᲐᲠᲬᲧᲐᲕᲐᲓ.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘ, მოიცავს არაბეთის ნ.-კ-ის სამ-ᲮᲠ.-დას. და სამხრ. ნაწილს (Ი-ის არაბ. ᲡᲐᲮᲔᲚᲬ. „ალ-იამან“ სიტყვასიტყვით ნიშ-ᲜᲐᲕᲡ მარჯვენა მხარეს). ანტ. გეოგრაფები ᲗᲐᲡ „ბედნიერ არაბეთს“ უწოდებენ. ძვ. წ. II—I ათასწლეულების მიჯნაზე Ი-ის ტე-ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ჩამოყალიბდა „სამხრეთ-არა-ᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ“. ამ პერიოდში აღ-ᲛᲝᲪᲔᲜᲓᲐ ᲰᲐᲓᲠᲐᲛᲐᲕᲗᲘᲡ, კატაბანის, საბაელ-ᲗᲐ, მოგვიანებით—მაინის სახელმწიფოები, რ-ᲔᲑᲘᲪ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐ და ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ზღვის ᲐᲣᲖᲘᲡ ქვეყნებს შორის საშუამავლო ვაჭ-ᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

ახ. წ. IV ს. დასაწყისში Ი-ის მთელი ᲢᲔᲠᲘᲢ. გაერთიანდა ᲰᲘᲛᲘᲐᲠᲗᲐ სამე-ᲤᲝᲡ ხელქვეით. IV—VI სს-ში აქ ფეოდ. ურთიერთობის ჩანასახიც გაჩნდა, გავრ-ᲪᲔᲚᲓᲐ იუდაიზმი და ქრისტიანობა. VI ს. დასაწყისში Ი. ეთიოპიელებმა დაიპყ-ᲠᲔᲡ, VI ს. დასასრ. — სასანიანებმა. VI—VII სს. მიჯნაზე Ი-ის ტერიტორიაზე არ-ᲡᲔᲑᲝᲑდა მრავალი წვრილი სამფლობელო, რ-ᲔᲑᲘᲪ 629—630 არაბთა სახალიფოს შე-მადგენლობაში შევიდნენ. Ი-ის ტერიტო-რიაზე განმტკიცდა ფეოდ. ურთიერთობა-ნი და არაბ.-მუსლ. კულტურა, ისლამი თანდათან გაბატონებული რელიგია გახდა. IX ს-ში აქ წარმოიშვა ზიადიდე-ბისა (დედაქალაქი ზაბიდი) და იაფური-დების (დედაქალაქი სანა) დამოუკიდე-ბელი სახელმწიფოები. X ს-ში Ი-ის ტე-რიტ. ერთი ნაწილი მოექცა ზეიდიტების შიიტური სექტის ხელში. შემდგომი ორი საუკუნე ხასიათდებოდა დინასტიების ᲮᲨᲘᲠᲘ ცვლითა და შინაომებით. XII ს. II ნახევარში Ი. დაიმორჩილა *სალაჰ ალ-ᲓᲘᲜᲘᲡ* ძმამ *თურან-შაჰმა*. ამ პერიოდში Ი-ს მართავდა *აიუბიდების* დინასტიის დამოუკიდებელი შტო. XVI ს. დასაწყის-ში მთიანი Ი-ის ჩრდ. და ცენტრ. ოლქებში გაბატონებული მდგომარეობა ზეიდიტე-ბის იმამებმა დაიკავეს. XVI ს-ში Ი-ში ოსმალები შეიჭრნენ. XVII ს-ში ოსმალები განდევნეს Ი-ის ტერიტ. დიდი ნაწილიდან. 1633 Ი-ში შეიქმნა ზეიდიტების დამოუკი-დებელი იმამატი. განვითარდა მეურნეობა, კულტურა, დამყარდა სავაჭრო ურთიერ-თობა ევრ. ზოგიერთ ქვეყანასთან. XIX ს. დასაწყისისათვის იმამატში ფეოდ. და-ქუცმაცებულობის გამო იმამები ვერ გაუმ-კლავდნენ ჯერ *ვაჰაბიტების*, ხოლო შემ-დეგ ეგვიპტის მმართველის *მუჰამად ალის* შემოსევას და ეგვ. ფაშის ვასალები გახდნ-ენ. ეგვ. ბატონობა Ი-ში გაგრძელდა 1840-მდე. 1839 დიდმა ბრიტანეთმა ხელთ იგდო ქ. ადენი და თავის სამხ. ბაზად გადააქცია. ინგლისელებმა თავიანთი ბატონობა სამხრ. Ი-ის დანარჩენ ტერიტორიაზე გაავრცელეს. ადგილ. შეიხებს, სულთნებს, ამირებს თავს მოახვიეს ხელშეკრულებები „მეგობ-რობის“, შემდეგ კი პროტექტორატის შე-სახებ. ინგლ. ექსპანსია ხალხის დიდ წი-ნააღმდეგობას წააწყდა.

XIX ს. 70-იან წლებში Ი-ის ჩრდ-ში აღდგა სულთნის ხელისუფლება. Ი. ოსმ. ვილაიეთად გამოცხადდა. 1873 ოსმალეთი იძულებული გახდა ეცნო დიდი ბრიტ. უფლება ადენში დაპყრობილ ტერიტო-რიაზე. XIX—XX სს. მიჯნაზე Ი-ში არა-ერთი ანტიოსმ. აჯანყება მოხდა. ხანგრ-ძლივი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემ-დეგ სულთანმა ცნო ზეიდიტების იმამის იაჰიას ხელისუფლება. I მსოფლიო ომის დროს იაჰია ინარჩუნებდა ვასალურ დამო-კიდებულებას სულთანთან, მაგრამ ომში მონაწილეობა არ მიუღია.

ომის დამთავრებისთანავე იაჰიამ თავი დამოუკიდებელი Ი-ის მეფედ გამოაცხადა. მან დაიმორჩილა მთის ყველა რ-ნი. მისი სამფლობელოები მტრულად განწყობილი სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული. დიდი ბრიტ. მოკავშირე ასირის ოლქის იდრისიდმა მთავრებმა ხელთ იგდეს თიჰა-მა; ადენის პროტექტორატის საზღვრებზე ხდებოდა გამუდმებული შეტაკებები ინგლ. ჯარებთან. იაჰიას ყველა ცდა, დაემორ-ᲩᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐ არაბეთის ნ.-კ-ის სამხრ. რ-ნები და სადავო ტერიტორიები ჩრდ-ში, უშედეგოდ დამთავრდა. 1934 ხელი მოა-წერეს ინგლ.-Ი-ის ხელშეკრულებას, რ-ის საფუძველზე ინგლისმა აღიარა Ი-ის სა-მეფოს დამოუკიდებლობა, მაგრამ შეინარ-ჩუნა პროტექტორატი ადენზე.

1928 დაიდო პირველი ხელშეკრულე-ბა საბჭ. კავშირთან მეგობრობისა და ვაჭ-რობის შესახებ (განახლდა 1955). იაჰიას კონსერვატიულმა პოლიტიკამ 30-იან წლებში ქვეყნის შიგნით ოპოზიცია გამოი-წვია, შეიქმნა რამდენიმე პოლიტ. ორგა-ნიზაცია, რ-ებიც მოითხოვდნენ რეფორმე-ბის გატარებას. ეს ორგანიზაციები გა-ნადგურებულ იქნა.

II მსოფლიო ომის (1939 — 45) დროს Ი-ის სამეფომ ნეიტრალიტეტი შეინარჩუ-ნა. 1943 იაჰიამ გაწყვიტა დიპლ. ურთიერ-თობა იტალიასთან. ომის წლებში Ი-ში დაიწყო შიმშილი და ეპიდემია. 1948 ოპო-ზიციამ ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალის აბდ ალ-ლაჰ ალ-ვაზირის მეთაურობით მოაწყო შეთქმულება იაჰიას წინააღმდეგ და 1948 წ. 17 თებ. იგი მოკლეს. ალ-ვაზირმა თავი იმამად და მეფედ გამოა-ცხადა, მაგრამ იაჰიას ვაჟმა აჰმადმა (1948 მარტი) შეძლო ალ-ვაზირის გადაყენება და ტახტის დაკავება.

მონარქიული რეჟიმი, ფეოდ. ურთიერ-თობანი, იმამის შეუზღუდველი ხელისუფ-ლება, ფეოდ. არისტოკრატიის მიერ მო-სახლ. მკაცრი ექსპლუატაცია საყოველთაო უკმაყოფილებას ზრდიდა. 50-იან წლებში Ი-ის არმიის პროგრ. ოფიცრებმა შექმნეს ჯგუფი „თავისუფალი ოფიცრები“, რ-მაც მიზნად დაისახა მონარქიის დამხობა. ხელ-საყრელი მომენტი დადგა იმამ აჰმადის სიკვდილის (1962 წ. 19 სექტ.) შემდეგ. 1962 წ. 26 სექტ. ქვეყნის ჩრდ-ში გაიმარ-ჯვა ანტიმონარქიულმა რევოლუციამ. სამხ. ნაწილებმა, რ-ებიც დაკავშირებული იყვნენ „თავისუფალ ოფიცრებთან“, დაი-კავეს მთავრობის შენობა ქ. სანაში, რა-დიოსადგური. მათ გამოაცხადეს Ი-ის არა-ბული რესპუბლიკა (იარ).

Ი-ის სამხრეთში, სადაც ინგლისელები ბატონობდნენ, დაიწყო განმათ. მოძრაობა. 1918 მთელ Ი-ში იფეთქა ანტიინგლ. აჯან-ყებებმა, რ-ებიც ინგლისელებმა დიდი სისასტიკით ჩაახშეს მრავალწლიანი დამს-ჯელი ექსპედიციების შედეგად.

1937 ადენი ინგლ. სამეფო კოლონიად გამოცხადდა. ინგლისელების მიერ ოკუპი-რებული ტერიტ. გაიყო ორ ნაწილად: ადენის აღმ. და დას. პროტექტორატებად.

II მსოფლიო ომის შემდეგ ქ. ადენი მსხვილ სავაჭრო-სატრანსპორტო ცენტ-რად გადაიქცა. აქ ინგლისელებმა ააშენეს არაბ. აღმოსავლეთში უდიდესი ნავთობ-გადასამუშ. ქარხანა; დაიწყო განვითარება მებამბეობამ, რ-იც ძირითადად ინგლ. ბაზარს ემსახურებოდა. ამის შედეგად თანდათან ჩამოყალიბდა მრავალრიცხო-ვანი სამრეწვ. და სას.-სამ. მუშათა კლასი.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘ.

1959 ადენსა და ადენის პროტექტორა-ტებში ინგლისელებმა შექმნეს სამხრეთის არაბ. საამიროების ფედერაცია, რ-შიც გააერთიანეს დასავლეთის პროტექტორა-ტის სამთავროები, ადენის კოლონია და აღმ. პროტექტორატის პატარა სამთავრო ვაჰიდი; ადენში ინგლისელებმა შეინარ-ჩუნეს დიდი ბრიტ. ჯარების მთავარი შტა-ბი ახლო აღმ-ში და სამხ. ბაზა.

Ი-ის არაბ. რესპუბლიკის გამოცხადე-ბის შემდეგ ანტიკოლონ. მოძრაობამ ქვეყ-ნის სამხრეთში დიდი გაქანება მიიღო. 1963 წ. 14 ოქტ. ოკუპირებული სამხრეთის განთავისუფლების ეროვნ. ფრონტმა დაი-წყო შეიარაღებული ბრძოლა ინგლ. კო-ლონიზატორების ბატონობისა და ადგილ. მთავრების წინააღმდეგ. დიდი ბრიტ. მთავრობამ მხოლოდ 1967 წ. 30 ნოემბ. ცნო სამხრ. Ი-ის დამოუკიდებლობა და თავისი ჯარები ადენიდან გაიყვანა. იმა-ვე დღეს გამოაცხადეს სამხრ. Ი-ის დამოუ-კიდებელი სახ. რესპუბლიკა (1970 წ. 30 ნოემბრიდან იემენის სახალხო დემოკრა-ტიული რესპუბლიკა).

ᲚᲘᲢ.: Л у н д и ч А. Г., Государство мукаррибов Саба, (сабейский эпонимат), М., 1971; მ ი ს ი ვ ე, К возникновению государственной организации в Южной Аравии, «Палестинский сборник», 1967, [т.] 17; მ ი ს ი ვ ე, Южная Аравия в VI веке, იქვე, 1961, [т.] 8.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘ, ი ე მ ე ნ ი ს ა რ ა ბ თ ა რ ე ს-პ უ ბ ლ ი კ ა (ალ-ჯუმჰურია ალ-არაბია ალ-იამანია), ი ა რ, სახელმწიფო აზიაში, არაბეთის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაწილში, წითელი ზღვის სანაპიროზე. ფართ. 195 ათ. *კმ*². მოსახლ. 6,9 მლნ. კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი — სანა. სახელმწ. ენა — არაბული. ეროვნ. დღესასწაულია 26 სექტ. — რევოლუციის დღე (1962). ოფიც. *კალენდარი* — მუსლიმანური (ჰიჯ-რა) და გრიგორიანული. ფულის ერთეულია Ი-ის რიალი. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 იანვ.) იემენის 100 რიალი=

იემენის არაბთა რესპუბ-ლიკის სახელმწიფო გერბი.

ზეგანი ქ. სანის მიდამოებ-ში.

14,27 მანეთს. ადმინისტრაციულად O. იყოფა 9 ლივად (ოლქად).

O. რესპუბლიკაა (1962). მოქმედებს 1970 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ორგანოა კონსულტაციური საბჭო—პარლამენტი. 1974 სამხ. გადატრიალების შემდეგ უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებს მეთაურთა საბჭო. სახელმწ. მეთაურია ამ საბჭოს თავ-რე.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. O-ის ტერიტ. დაახლ. 2/3 დაღარული მთიანი მხარეა (ჯებელი), რ-იც შედგება მაღალი პლატოს (სიმაღლე 2—3 ათ. *მ*-მდე) და მრავალსაფეხურიანი ძლიერ ეროზირებული ბექისაგან. უმაღლესი მწვერვალია ელ-ნაბი-შაიბი (3600 *მ*). O-ის აღმ. ნაწილში (შარკი) პლატო დაბლდება და *რუბ-ელ-ხალის* უდაბნოში გადადის. წითელი ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლად გასდევს თიჰამის ვაკე. მოიპოვება ქვამარილი, ალებასტრი, სანახელავო ქვები (აქატი, ონიქსი, ქალცედონი და სხვ.). ჰავა — ტროპ., ქვეყნის დიდ ნაწილში მშრალი, ნალექები უმთავრესად ზაფხულში მოდის. თიჰამაში იანვ. საშ. ტემპ-რაა დაახლ. 20°C, ივნისისა 30°C-ზე მეტი, ნალექები 100 *მმ*-მდე წელიწადში. ქ. სანაში (დაახლ. 2400 *მ* სიმაღლეზე) იანვ. საშ. ტემპ-რაა 13,7°C, ივნისისა 21°C, დეკ.—თებ-ში იცის სუსხი. ნალექები ზოგან 1000 *მმ*-ზე მეტია. წყლის მუდმივი პატარა ნაკადები მხოლოდ ქვეყნის მთიან ნაწილშია. უმთავრესად წითელ-მურა ნიადაგებია, ზოგან — მლაშობი. მთაში მცენარეულობა თითქმის არ ხარობს, აქა-იქ გვხვდება კაქტუსი და მეჩხერი ეკლიანი ბუჩქნარი. პლატოს მწვერვალებზე მშრალი სტეპია, ღრმა ხეობებში — ფოთოლმცვივანი და მარადმწვანე ხე-ბუჩქნარის რაყები. შარკიში და თიჰამის სანაპიროზე უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობაა, ოაზისებში იზრდება ფინიკის პალმა. ცხოველთაგან უმთავრესად გვხვდება ქურციკი, კანჯარი, მტაცებლებიდან — აფთარი, მგელი, მელა, ველური კატა, ჯიქი. სამხრ. რ-ნებში ბინადრობს მაიმუნი ჰამადრილი.


ი ე მ ე ნ ი ს
ს ა უ დ ი ს
ა რ ა ბ ე თ ი
ი ე მ ე ნ ი ს
ა რ ა ბ თ ა
რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა
ი ე მ ე ნ ი ს
ს ა ხ ა ლ ხ ი
დ ე მ ო კ რ ა ტ ი ო ლ ი
ა ფ ხ ა ზ ი
ა ბ ა ნ ი
ბ ა ბ ა ლ
ბ ა ბ ი ლ ი
ბ ა ბ ა ნ ი
ბ ა ბ ა ნ ი
ბ ا ب ا ن
ბ ا ب ا ل
ب ا ب ا ن
ب ا ب ا ل
ب ا ب ا ن
ب ا ب ا ل
ب ا ب ا ن
ب

1976/77 ექსპორტმა შეადგინა 76,1 მლნ. ალი, იმპორტმა — 3099 მლნ. გააქვთ ᲛᲑᲐ და ბამბის თესლი, ყავა, ტყავნეული და სხვ. შეაქვთ სურსათი, მზა ნაᲠᲛᲘ, მანქანა-მოწყობილობა, ნავთობᲛ. პროდუქტები. Ი-ის მთავარი სავაჭრო რტნიორები არიან: ექსპორტში — ჩინ. , იემენის სდრ, იტალია, საუდის არათი; იმპორტში — საუდის არაბეთი, იანია, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, ᲛᲔᲜᲘᲡ სდრ, ჩინ. სრ, გდრ.

განათლება. 1962 რევ. პირველ დღეᲨᲘᲕᲔ მიიღეს კანონი ყველა საფეხურზე ᲙᲐᲡᲗ სწავლების შესახებ. შემოღებულია ᲗᲘᲐᲜᲘ პროგრამები. დაწყ. სკოლა ᲬᲚᲘᲐᲜᲘᲐ, არასრული საშ., საშ. ზოგადსაᲔᲜᲛᲐᲜ. და პროფსკოლები — 3-წლიანი. ᲘᲡ აგრეთვე რელიგ. სასწავლებები. ქალ-ვაჟთა სწავლება განცალკევეᲚᲘᲐ. 1975 წ. 800-მდე დაწყ. სკოლაში ᲡᲐᲕᲚᲝᲑდა 70 ათ-მდე მოსწავლე, 20-ზე ᲛᲔ არასრულ საშ. სკოლაში — 3 ათ-ზე ᲛᲔ მოსწავლე, 4 სრულ საშ. სკოლაში— 100-მდე მოსწავლე. სსრკ-ის დახმარᲔᲑᲘᲗ 1967 აშენდა 3 ზოგადსაგანმან. სკოᲚᲐ. მუშაობს წერა-კითხვის უცოდინაᲝᲑᲘᲡ სალიკვიდაციო ცენტრები (მ. შ. ქალებისათვის). რევ. შემდეგ შეიქმნა სას.-სამ., 3 საწარმოო და 3 პედ. სასწავᲚᲔᲑᲚᲘᲚᲘ. უმაღლეს განათლებას იღებენ ᲖᲔᲦᲕᲐᲠ�გარეთ.

კულტურა. შუა საუკ. Ი-ის ლიტ-რა ᲡᲐᲑ. ლიტ-რის ნაწილი იყო (იხ. *არაბული ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ*). ლიტერატურა). იგი ძირითადად მოიცავდა რელიგ. ᲰᲘᲛᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐს; ᲒᲚᲐᲜᲨᲜᲐᲕᲘᲐ აგრეთვე ნაშვან ალ-ᲰᲘᲛᲘᲐᲜᲘᲡ (გ. 1117) „ᲰᲘᲛᲘᲐᲠᲘᲗᲣᲚᲘ კასიდა". ᲡᲐᲕᲔ პერიოდს მიეკუთვნება ალ-ᲰᲐᲛᲐᲓᲐᲜᲘᲡ ლექსების დივანი და აშა ᲰᲐᲛᲐᲓᲐᲜᲘᲡ ᲞᲔᲛᲑᲘ. Ი-ის ლიტ-რის განვითარᲔᲑᲘᲡ ხელი შეუწყო ანტიიმპერიალისტურმა ᲑᲠᲫᲝᲚᲐმ. XX ს. 50—60-იანი წწ. პოეტები ᲔᲜ მუᲰᲐᲛᲐᲓ ალ-ᲐᲠᲘᲐᲜᲘ, აბდ ალ-ᲥᲐᲠᲘᲛ ᲐᲖᲰᲐᲠᲘ და სხვ. წერენ ტრად. *ᲙᲐᲡᲘᲓᲔᲑᲘ*. ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲘ მწერლები არიან აᲰᲛᲐᲓ ალᲐᲘᲡი, მაუკი აბდალა, ჯაფარ აბდო და ᲡᲮᲕ.

Ი-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. ᲬᲬ. II ათასწლეულიდან), გეგმით ᲡᲝᲠᲙᲣᲗᲘᲗ, გალავანშემოვლებული ქ-ების ᲛᲐᲠᲘᲑის, კარნავუს (მაინი) და სხვ., ᲡᲐᲠᲔᲗᲔᲒᲐᲝ საირიგაციო ნაგებობათა, რელᲘᲒᲘᲔᲑᲘᲗᲐ და მოხატულობით შემკული ქვის ᲡᲐᲛᲐᲠᲕᲔᲚᲘᲡ (რასფის სწორკუთხა ტაძარი კაᲠᲜᲐᲕᲣᲡ მახლობლად, ძვ. წ. 550—450 შორᲘ) ნაშთები, ქვისა და ბრინჯაოს ქანდაკებᲔᲑᲘ. I ს-იდან ცნობილია ქ. სანა, სადაც, ᲠᲐᲑᲘ ისტორიკოსების გადმოცემით, ᲪᲡᲐრთულიანი ციხე-დარბაზი—გუმდანი ᲓᲒᲐრა. ისლამის გავრცელებასთან ერთად ᲐᲠᲘᲬᲧᲝ მეჩეთებისა და მინარეთების მშენᲔᲚᲝᲑა. აშენებდნენ აგრეთვე სხვადასხვა ᲡᲤᲘᲡ საცხოვრ. სახლებს. თანამედროვეᲔᲑᲨᲘ შენდება სამრეწვ. და საირიგაციო ᲜᲐ�გებობანი. ქალაქის ძვ. ნაწილის გვერᲓᲘᲗ იქმნება ახ. რ-ნები.

, შემორჩენილია ხალხ. ხელოვნ. ტრაᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ დარგები: ინკრუსტირება (ხეᲡ და ლითონზე), საიუველირო საქმე ᲕᲔᲠცხლის ფილიგრანული სამკაულები), ᲠᲝᲕᲜ. ტანისამოსზე ქარგვა, მეხალიჩᲔᲑა და სხვ.

ᲚᲘᲢ.: Котлов Л. Н., Йеменская Арабская Республика, М., 1971; Новейшая история арабских стран, М., 1968, с. 244—270.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘ, ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ (ᲐᲠᲑᲣᲛᲣᲠᲘᲐᲗ ალ-იამან ალ-დიმოკრატია ᲐᲚ-ᲨᲐᲐᲑᲘᲐ), ᲘᲡᲓᲠ, სახელმწიფო აზიაში, ᲐᲠᲐᲑეთის ნ.-კ-ის სამხრ. ნაწილში. მოიᲙᲐᲕᲡ სოკოტრას, ფერიმს, ქამარანსა და ᲡᲮᲕᲐ წვრილ კ-ებს. სამხრ-ით აკრავს არაბეᲗᲘᲡ ზღვა და ადენის ყურე. ფართ. 287,7 ᲗᲐᲡ. *კმ²*. მოსახლ. 1,8 მლნ. კაცი (1978, ᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ). დედაქალაქი —ადენი. სახელმწ. ᲔᲜᲐ — არაბული. ეროვნ. დღესასწაულია 14 სექტ. — რევოლუციის დღე (1963). ᲠᲔᲚᲘᲒ. *კალენდარი* — გრიგორიანული და მუსლიმანური (ჰიჯრა). ფულის ერთეულია იემენის სდრ-ის დინარი. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980, იანვ.) 1 იემენის სდრ დინარი=1,94 მანეთს. ადმინისტრაციულად Ი. იყოფა 6 საგუბერნატორად.

Ი. რესპუბლიკაა. მოქმედი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1970. საკანონმდებლო ᲮᲔᲚᲘᲡუფლების ორგანოა უმაღლესი სახ. საბჭო (მოსახლ. ირჩევს 3 წლით). სახელმწ. მეთაურის ფუნქციებს ასრულებს პრეზიდენტის საბჭო, რ-საც ირჩევს უმაღლესი სახ. საბჭო. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას. სასამართლო სისტემას სათავეში უდგას უზენაესი სასამართლო.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ᲑᲣᲜᲔᲑა. Ი-ის დას. და ცენტრ. რ-ნები უᲬᲘრაკს მთებს (სიმაღლე 2508 *მ*-მდე, მთა ადარანი), რ-ებიც ჩრდ-კენ, რუბ-ელᲮᲐᲚᲘᲡ უდაბნოსაკენ, თანდათან დაბლდება. აღმ-ით ჭარბობს მაღლობები (სიმაღლე 1000 *მ*-მდე). მთები და მაღლობები ციცაბოდ ეშვება სანაპირო ვაკისაკენ (სიგანე 50 *კმ*-მდე). სასარგებლო წიაღისეული თითქმის შეუსწავლელია. არის მარმარილოს, კირქვის საბადოები. იღებენ მარილს. მიმდინარეობს ნავთობის ძიება. ᲰᲐᲕᲐ—ᲢᲠᲝᲞ., მშრალი. ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ტემპ-რა სანაპიროზე 25°C-იდან (იანვ.) 32°C-მდე (ივნ.) მერყეობს. მთაში უფრო ცივი ᲰᲐᲕᲐᲐ. ადენში დაახლ. 40 *მმ* ნალექი მოდის წᲔᲚᲘᲬᲐდში, მთაში ზოგან—700 *მმ* (სამხრ.-დას. მუსონის გავლენით). მნიშვნელოვანი მდ-ებია მასილა (ᲰᲐᲓᲠᲐᲛᲐᲕᲘᲐ), ᲰᲣᲕᲐᲘᲠᲐ. არის უმთავრესად მთის წითელ-მურა, უდაბნოსი და ნაწილობრივ დამლაშებული ნიადაგები. მთაში აკაციებიანი სავანა, ზოგან ხემცენარეულობაა. სანაპიროს ოაზისებში ᲮᲐᲠᲝᲑს ფინიკისა და კოკოსის პალმა. ცხოველებიდან ბინადრობს უმთავრესად ᲠᲐᲕᲘᲐᲜᲘ, დამანი, ქურციკი, ᲯᲘᲥᲘ, აფთარი და სხვ.

მოსახლეობა. მოსახლ. 90%-ს არაბები შეადგენენ. ქ-ებში ცხოვრობენ აგრეთვე ინდოეთიდან და პაკისტანიდან გადმოსახლებულები (გუჯარათელები, პენჯაბელები, ᲰᲘᲜᲓᲣᲡᲢᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ) და სომალიელები. ᲝᲤᲘᲪ. რელიგია — ისლამი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 75% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1977). მოსახლ. დიდი ნაწილი ბინადარ ცხოვრებას ეწევა, მცირე ნაწილი ნახევრად მომთაბარე და მომთაბარეა. საშ. სიმᲭᲘᲓᲠᲝᲕᲔᲑა 6 კაცი 1 *კმ²*-ზე. ყველაზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული ქ. ადენის რ-ნი, მთიანი რ-ნები ჩრდ.-დას. ნაწილში და უადების ფართო ხეობები. დიდი ქ-ებია: ადენი (360 ათ. მცხ., 1978), მუქალა, საიუნი, ტარიმი

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ. ისდრ შეიქმნა 1967 წ. (30 ნოემბ. იემენის სამხრ. ნაწილში ინგლ. კოლონიზატორებთან იემენელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის შედეგად (1970 წ. 30 ნოემბრამდე ეწოდებოდა სამხრ. იემენის სახალხო რესპუბლიკა). მისი მმართველი ორგანიზაცია გახდა იემენის ოკუპირებული სამხრეთის განთავისუფლების ეროვნ. ფრონტი (1967 დეკიდან — ეროვნული ფრონტი, ეფ).

ᲢᲔᲠᲐᲡᲘᲔᲑი მთის კალთებზე. ქ. იბის რაიონი.

რესპ. ხელმძღვანელობის პირველი პრაქტ. ღონისძიებები მიმართული იყო ფეოდ. ურთიერთობისა და გვაროვნ.-ტომობრივი გადმონაშთების ლიკვიდაციისაკენ. 1967 ნოემბ. გატარდა ნაციონალიზაცია, რაც უპირატესად უცხ. კაპიტალს შეეᲮᲝ. დაიწყო სახელმწ. სექტორის ჩამოყალიბება.

ქ. ჯიბლი. ქვეყნის სამხრ.-დას. მთებში.

1968 დასაწყისში ეფ-ის IV ყრილობამ დასახა Ი-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. გათავისუფლებული იყო ქვეყნის სოც.-ეკონ. გარდაქმნათა გადაუდებელი ღონისძიებანი, კერძოდ, აგრ. რეფორმის კანონის მიღებისა და სხვ., მაგრამ მათი შესრულება დააბრკოლა ეფ-ის ზომიერმა ნაციონალისტურმა ფრთამ, რ-იც სათავეში ედგა ᲮᲔᲚᲘᲡუფლებას.

1969 წ. 22 ივნ. ძალაუფლება ᲮᲔᲚᲗᲐ აიღო ეფ-ის მემარცხენე ფრთამ. შეიქმნა კოლექტ. საპრეზიდენტო საბჭო, რ-საც სათავეში ჩაუდგა სალიმ რუბაია ალი. ეფ-ის გენ. მდივნად აირჩიეს მისი მემარცხენე ფრთის ლიდერი აბდ ალ-ფათაᲰ ისმაილი, პრემიერ-მინისტრად ალი ნასირ მუᲰᲐᲛᲐᲓი.

ეფ-ის V ყრილობამ (1972 მარტი) მიიღო ეფ-ის პროგრამა და წესდება. ყრილობის გადაწყვეტილებებში ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲣᲚი იყო, რომ ისდრ უარყოფს განვითარების კაპიტალ. გზას და ირჩევს სოციალ. გარდაქმნების გზას სოციალ. ქვეყნებთან მჭიდრო კავშირში. 1969—72 ისდრ-ის ხელმძღვანელობამ გამოსცა ახ. კანონები, რ-ებიც მიზნად ისახავდა ეროვნ. ეკონ. შექმᲜᲐს. 1970 წ. 30 ნოემბ. მიიღეს რესპ. ახ. კონსტიტუცია. საგარეო პოლიტიკის სფეროში ისდრ გამოვიდა რასობრივი დისკრიმინაციისა და აპარტჰეიდის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის სრული მოსპობის, მოწინავე არაბ. ქვეყნებთან, საბჭ. კავშირთან და სხვა სოციალ. სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის განვითარების ᲛᲝ-

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲒᲔᲠᲑᲘ.


ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲡᲐᲣᲓᲘᲡᲢᲐᲜᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲓᲔᲜᲘ
ᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲔ
ᲤᲐᲠᲗ. 287,7 ᲗᲐᲡ. *კმ²*
ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ 1,8 ᲛᲚᲜ. ᲙᲐᲪᲘ (1978, ᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ)
ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ — ᲐᲓᲔᲜᲘ
ᲡᲐᲣᲓᲘᲡᲢᲐᲜᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲠᲔᲓ ᲖᲦᲕᲐ
ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲝᲥᲘ
ᲐᲤᲠᲘᲙᲐ
ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲔ
ᲐᲓᲔᲜᲘ
ᲛᲣᲥᲐᲚᲐ
ᲡᲐᲘᲣᲜᲘ
ᲢᲐᲠᲘᲛᲘ
ᲥᲐᲠᲘᲛᲘ
ᲡᲐᲜᲐ
ᲛᲐᲠᲘᲑᲘ
ᲡᲐᲜᲐᲜᲘ
ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗ

ბამბის აღება სასოფლო-სამეურნეო რაიონში ქ. ლა-ჰიჯის მაბლობლად.

აქლემების ქარავანი პადრა-მაუთის ერთ-ერთ ხეობაში.



ნავსადგური მუქალა.

თხოვნით. 1970 იმპერიალიზმისა და არაბ. რეაქციის ინტრიგების შედეგად გამწვავდა ურთიერთობა ისდრ-სა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის, რაც 1972 სექტ.-ოქტ. გადაიზარდა სამხ. კონფლიქტში. 1972 წ. 28 ოქტ. მათ შორის დაიდო შეთანხმება ომის შეწყვეტისა და მომავალში ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

რესპ. ხელმძღვანელობის მითითებით ჩატარდა პოლიტ. ორგანიზაციისა და სახელმწ. აპარატის წმენდა. 1974-თვის ფაქტობრივად ხელახლა ჩამოყალიბდა სახ. პოლიცია და შეიარაღებული ძალები მუშების, გლეხებისა და მოწინავე ინტელიგენციის შემადგენლობით.

1975 წ. 5 თებ. ეფ-მა, სახ.-დემოკრ. კავშირმა და სახ. ავანგარდის პარტიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ერთობის თაობაზე. 1975 წ. 11—13 ოქტ. გამაერთიანებელ ყრილობაზე შეიქმნა გაერთ. პოლიტ. ორგანიზაცია ეროვნული ფრონტი (გპოეფ). შეიქმნა გპოეფ-ის ხელმძღვანელი ორგანოები. გპოეფ-ის ცკ-ის გენ. მდივნად აირჩიეს აბდ ალ-ფათაჰ ისმაილი. ყრილობამ კვლავ დაამტკიცა ისდრ-ის განვითარების არაკაპიტალ. კურსი. 1967 წ. 3 დეკ. დიპლ. ურთიერთობა დამყარდა სსრკ-თან. 1967 წ. 7 თებ. და 1975 ნოემბ. ამ ქვეყნებს შორის დაიდო ხელშეკრულებები სავაჭრო, ეკონ. და ტექ. თანამშრომლობის შესახებ. 1976 თებ.-მარტში გპოეფ-ის დელეგაცია, რ-საც აბდ ალ-ფათაჰ ისმაილი მეთაურობდა, მონაწილეობდა სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში. 1978 ივნ. საპრეზიდენტო საბჭოს თავ-რე სალიმ რუბაია ალი, რ-იც შეეცადა მოეწყო რეაქც. სამხ. გადატრიალება, სიკვდილით დასაჯეს. 0-ის დროებითმა უმაღლესმა საბჭომ (პარლამენტმა) საგანგებო სესიაზე (ივნ.-ივლ.) აირჩია საპრეზიდენტო საბჭოს ახ. შემადგენლობა. მისი თავ-რე გახდა პრემიერ-მინისტრი ალი ნასირ მუჰამადი. 1978 ოქტ. შეიქმნა ისდრ-ის სოციალისტური პარტია. პარტიის I ყრილობაზე (ოქტ.) მის გენ. მდივნად აირჩიეს აბდ ალ-ფათაჰ ისმაილი.

ეკონომიკა. 0. აგრ. ქვეყანაა. დამოუკიდებლობამდე მისი ეკონომიკა ემყარებოდა რეექსპორტსა და ინგლ. სამხ.-საზღვ. ბაზის—ნავსადგურ ადენისა და ტურისტების მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალს. მომსახურების სფერო იძლეოდა ქვეყნის ეროვნ. შემოსავლის დაახლ. 60%-ს. 1967 შემდეგ 0. დაადგა სოც.-ეკონ. გარდაქმნის გზას. გატარდა აგრ. რეფორმა, მოხდა უცხოეთის ბანკების, სავაჭრო კომპანიების, ნავსადგურ ადენის მომსახურე კომპანიებისა და ზოგიერთი სამრეწვ. საწარმოს ნაციონალიზაცია. 1977 სახელმწ. და საზ. (უმთავრესად კოოპ.) სექტორების წილად მოდიოდა სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 70%, მრეწვ. პროდუქციის 66%, ექსპორტის 90%-ზე მეტი და იმპორტის დაახლ. 94%.

ეკონ. მნიშვნელოვანი დარგია სოფ. მეურნეობა, განსაკუთრებით მემცენარეობა. მუშავდება დაახლ. 110 ათ. ჰა. ნათესი ფართობის 50%-ზე მეტი უჭირავს მარცვლოვან კულტურებს, 25% — ტექნიკურს. სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ბამბა (16,1 ათ. ტ, 1977), უმთავრესად საექსპორტოდ. მეორე ხაექსპორტო კულტურაა ყავა (900 ტ, 1977). ადგილ. მოხმარებისათვის მოჰყავთ ფეტვი, სორგო, ხორბალი, ქერი, შირბასტი, თამბაქო. განვითარებულია მებოსტნეობა და მეხილეობა. კულტივირებულია ფინიკისა და კოკოსის პალმა. დიდ როლს თამაშობს მეცხოველეობა, მაგრამ საქონლის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდას აფერხებს საკვები ბაზის სიმცირე. ტრად. დარგია თევზჭერა, რ-ის განვითარებაშიც 0-ს დიდ დახმარებას უწევს სსრკ, კუბა, პოლ. სრ, გდრ, კორეის სდრ, იაპონია, ერაყი და სხვ.

მრეწველობაში ჭარბობს წვრილი საწარმოები; მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია ქ. ადენში. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 70%-ს იძლევა ადენის ნავთობგადასამუშ. ქ-ნა (სიმძლავრე 8,4 მლნ. ტ, 1977). ქ-ნა მუშაობს შემოტანილ ნედლეულზე. პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოა. ელექტროენერგიის წარმოებამ 1977 შეადგინა 151 მლნ. *კვტ • სთ.* არის ბამბასაწმენდი ქ-ნები, სართავსაქსოვი კომბინატი, სამკერვალო ფ-კები, რძის პროდუქციის, გამაგრილებელი სასმელების, მცენარეული ზეთის, თევზსაკონსერვო, საპნის, ასანთის საწარმოები. გემთსარემონტო ქ-ნა. მარილის სარეწი.

0-ში რკინიგზა არ არის. საავტ. გზის სიგრძეა 7,3 ათ. *კმ*, მ. შ. 1,4 *კმ* მაგარსაფრიანია. მთავარი ნავსადგურებია ადენი (ტვირთბრუნვა 3748 ათ. ტ, 1976) და მუქალა.

1977 ექსპორტმა შეადგინა 4,1 მლნ. დინარი, იმპორტმა — 72,4 მლნ. გააქვთ თევზი და თევზის პროდუქტები, ბამბა, ყავა, მარილი, ტყავნედლეული. შეაქვთ სურსათი, სამომხმარებლო სამრეწვ. საქონელი, მანქანა-მოწყობილობა, სატრანსპ. საშუალებანი, საშენი მასალა. 0-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ექსპორტში — იაპონია, სინგაპური, აშშ, იემენის არაბთა რესპუბლიკა; იმპორტში — იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გფრ, სსრკ.

განათლება. სახ. განათლების სისტემის საფეხურებია უფასო დაწყ. 4-წლიანი სკოლა, 3-წლიანი არასრული საშ. და 3-წლიანი სრული საშ. სკოლა. ყველა საფეხურზე ქალ-ვაჟთა სწავლება განცალკევებულია. ქალთა სკოლების რიცხვი სკოლათა საერთო რიცხვის 10%-ია. 1975 დაწყ. და არასრულ საშ. სკოლაში სწავლობდა 52 ათ-ზე მეტი მოსწავლე, საშ. სკოლაში 20 ათ-მდე მოსწავლე. საშ. ტექ. განათლებას იძლევა ადენის ტექ. სასწავლებელი, მასწავლებლებს ამზადებენ კურსებზე. 1970 გაიხსნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი ადენში — უმაღლესი კოლეჯი (1975 სწავლობდა 200-მდე სტუდენტი, მ. შ. იყენენ ქალებიც).

ადენში არის მუნიციპალიტეტის ბ-კა (30 ათ-ზე მეტი ტ. ინგლ., არაბ. და ურდუ ენებზე), 2 არქეოლ. მუზეუმი, რევ. მუზეუმი.

კულტურა. 0-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია კატაბანის სამეფოს დედაქალაქის ტიმნის ნანგრევები (ძვ. წ. IX—I სს.). ძვ. შაბვის (ჰიმიართა სამეფო) ტერიტორიაზე აღმოჩენილია სასახლისა და ტაძრების ნანგრევები. 0-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე ძვ. წ. V ს. — ახ. წ. პირველი საუკუნეების მცირე ქალაქთა ნაშთები, კლდეზე შესრულებული ცხოველთა გამოსახულებანი და წარწერები (ძვ. წ. I ათასწლ.). ძვ. წ. I ს. მიეკუთვნება კედლებისათვის შესრულებული ბრინჯაოს რელიეფური გამოსახულებანი, ელინისტური ხასიათის სტატუები ტიმნიდან. ადგილ. ხელოვნ. ნიშნებს ატარებს ტიმნაში ნაპოვნი ალებასტრის ქალის თავი. კერამიკა შემკულია მარტივი ორნამენტით. ქ-ებს შენარჩუნებული აქვს შუა საუკ. იერი. საკულტო ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია მეჩეთები, რ-თა ეზოს გარს უვლის ბრტყელი სახურავით ან გუმბათით გადახურული გალერეები; აგებდნენ აგრეთვე გეგმით მრგვალ მინარეთებს, წმინდანთა მავზოლეუმებ 0-ის დედაქალაქი ადენი იანამდერ ხასიათის ქალაქია. საცხოურ. რ-ნი მ ლა განაშენიანებულია 4—5-სართული სახლებით.

ლიტ.: Александров И. А., Н родная Демократическая Рессублика Е мен (Справочник), М., 1976. Новейш история арабских стран, М., 1968, с. 271 357.

ᲘᲔᲜᲐ, ფულის ერთეული იაპონიაში, ᲗᲐ რის 100 სენს. 0. ეწოდებოდა აკრეთვე ძ ლებურ იაპონურ ოქროსა (1,5 *გ*) და ვე ცხლის (24,3 *გ*) მონეტებს. სსრკ სახბ კის კურსის მიხედვით 1000 0.=2,68 მ (1980, იანვ.).

ᲘᲔᲜᲐ (Jena), ქალაქი გდრ-ში გერ ოლქში, მდ. ზაალეს ნაპირზე. 100,8 ᲐᲐ მეხ. (1976). სარკინიგზო კვანძი. ოპ მექან. მრეწვ. დიდი ცენტრი. ქ-ნა „კარ ცაისი" მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდ საწარმოა, რ-იც ამზადებს (უმთავრეს საექსპორტოდ) სხვადასხვა ოპტ. ხელ წყოებს, ასტრონ. და სამედ. მოწყობილ ბას, სინათლისა და ელექტრონულ მიკრ კოპებს, ფოტოობიექტივებს, ბინოკლე საექსპორტო მნიშვნელობისაა ოპტ. მინ და მედიკამენტების წარმოებაც.

ᲤᲐ. შილერის სახ. უნ-ტი (იხ. *იენ უნივერსიტეტი*), პლანეტარიუმი, სეისმ ლოგიის ინ-ტი, ობსერვ., ბოტან. ბაღი, ზ ტი მექან., თვალის ოპტიკისა და მედიცინ სპეციალისტთა მოსამზადებელი სკოლა.

ᲘᲔᲜᲐ-ᲐᲣᲔᲠᲨᲢᲔᲓᲢᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 180 ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ბრძ ლა საფრანგეთისა და პრუსია-საქსონი არმიებს შორის 14 ოქტ. რუსეთ-პრუსი საფრანგეთის ომის (1806-07) დრ 1806 ოქტ. დასაწყისში პრუსია-საქსონ არმიას (100 ათ-ზე მეტი), რ-საც სათა ში ჰერცოგი კ. ბრაუნშვაიგი ედგა, თავ ცვითი პოზიციები ეკავა იენა-ვაიმარ რ-ნში. ნაპოლეონის არმია (150 ათ- მეტი) მოწინააღმდეგის ფლანგზე ბურგში გასასვლელად ბამბერგ-ბაირ თის რ-ნიდან დაიძრა. პრუსიელთა მ ვარმა ძალებმა (50 ათ-ზე მეტი) აუ შტედტისაკენ დაიხიეს, იენასთან კი ჰოენლოეს კორპუსი (38 ათ.) დატოვ ნაპოლეონმა იენასთან პრუსიელები ად ლად დაამარცხა, ხოლო ლ. დავუს კო პუსმა (27 ათ.), მიუხედავად მოწინააღ დეგის რიცხობრივი უპირატესობ აუერშტედტთან მოიპოვა გამარჯვება. სუ პრუსიელებმა 45 ათ. კაცი და 315 ქვემ დაკარგეს. ნაპოლეონის გამარჯვებამ ᲐᲐ. ბ-ში ფეოდ. პრუსია სრულ განადგურ ბამდე მიიყვანა და ნათელი გახადა ბურ საფრანგეთის სამხ. სისტემის უპირატესობ

ᲘᲔᲜᲐᲨᲘ, სოფელი მესტიის რ-ნში, მ მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკად ნაპირზე. ლატალის სოფსაბჭოს ცენტრ (სოფლები: 0., იფხი, კვანჭიანარი, ლ ხუშდი, ლაპილი, ლელბაგი, ლეშუკვ მაცხვარიში, ნანყვამ-ზაგრალი, სიდიან რი, შვალერი). ზ. დ. 1360 *მ*, მესტიიდ 9 *კმ*. მესტიის მეცხოველეობის საბჭ. მეურ ნეობა. საშ. სკოლა, კულტსახლი, ბ-კ კავშირგაბმ. განყ-ბა. იონა წინასწარმეტ ყველის ეკლესია (XII — XIV სს.). აქ დ ცულია XI—XIII სს. ჭედური ხელოვნებ ნიმუშები (ხატები, ოთხთავის ყდა და სხვ.

ᲘᲔᲜᲘ (Jähn) ზიგმუნდ (დ. 13. II. 193 დაბა რაუტენკრანცი), გერმანიის დემოკ რესპუბლიკის კოსმონავტი მფრინავი. სა ჭოთა კავშირის გმირი, გერმანიის დემოკრ ტიული რესპუბლიკის გმირი (1978). დაა თავრა სამხ.-საფრენოსნო სასწავლებელ 1966 ჩაირიცხა ი. გაგარინის სახ. სამხ საჰაერო აკადემიაში (სსრკ), რ-ის დამთა რების შემდეგ მუშაობდა გდრ-ის სახ. ა მიაში. 1976 გამოგზავნეს სსრკ-ში, ი. გ გარინის სახ. კოსმონავტთა მომზადებ ცენტრში. 1978 წ. 26 აგვ. „ინტერ კოსმოსის" პროგრამით გაფრინდა კო მოსში ვ. *ბიკოვსკისთან* ერთად კოს

ომალდ „სოიუზ-31-ით", რ-იც 27 აგვ. კუპირაპირდა ორბიტაზე ᲩᲒᲧᲝᲤ „სალუტ -„სოიუზ 29" სამეცნ. სადგურს (ეკიპაჟი—კოსმონავტები ა. *ივანჩენკოვი* და ვ. *ივალიონოკი*). ერთობლივი კვლევის პროგრამის დამთავრების შემდეგ, 3 სექტ., . და ბიკოვსკი დედამიწაზე დაბრუნდნენ. ავჯილდოვებულია კარლ მარქსის ორდენით, ლენინის ორდენით, მედლებით.

ᲘᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, გდრ-ᲘᲡ ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტი. დაარსდა 1558 იენის აკად. გიმნაზიის ბაზაზე, ᲰᲥᲝᲜᲓᲐ თეოლ., იურიდ., სამედ., ᲐᲢᲘᲤᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜ. ფაკ-ტები. Ი. Უ-თან დაკავშირებული არის ი. გოეთეს, ი. ფიხტეს, ფ. შელინგის, ფ. შილერის, გ. ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲡᲐ და სხვ. მოღვაწეობა. 1841 Ი. Უ-ი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲛᲐ. XIX—XX სს. მიჯნაზე Ი. Უ-ში აბატონდა რეაქციული ნაციონალურ-შოვინისტური და აგრესიულ-იმპერიალ. დეები, ხოლო 1933-იდან — ფაშიზმის დეოლოგია. II მსოფლიო ომის დროს ᲒᲜ-ᲢᲘ ძლიერ დაზიანდა. ომის დამთავრეᲘᲡ შემდეგ გდრ-ში უნ-ტთაგან პირველად . Უ გახსნეს (1945). მასთან დაარსდა უშურ-გლეხური ფაკ-ტი, რ-იც იძლეოდა ᲠᲣᲚᲘ საშ. სკოლის ცოდნას. 1978 Ი. Უ-ი იყო: მარქსიზმ-ლენინიზმის, ფილოს. ა ისტ., ფილოლ., ეკონ., კიბერნეტიკის, ედ., ლიტ-რისა და ხელოვნ., სამედ., ᲘᲝᲚ., ქიმ., ᲤᲘᲖ., მათ., ტექნოლ., ᲣᲠᲘᲓ., თეოლ., ᲤᲘᲖᲐᲚᲬᲠᲓᲘᲡ. ფაკ-ტები. ᲬᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ 5 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 00 პროფესორ-მასწავლებელი; ბ-კაში დაარსდა 1558) ᲰᲐᲥᲝ 2 მლნ. ტ.

Ი. Უ-სა და თბილისის უნ-ტს შორის ᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ მეგობრობის ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ 1966 წ. ნოემბრიდან), რ-ის საფუძველზე ᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ სამეცნ.-პედ. თანამშრომლობა. უკვე გამოვიდა მეგობრობის კრებულის „საქართველოს" 3 ნომერი; 1978-იდან ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ გამოდის კრებული „გეᲠᲒᲘᲙᲐ" (1978 № 1, ქართული ენა; 1979 № 2, ქართული ფილოსოფიური აზრი). Ნ-ᲢᲔᲑᲘ იწვევენ პროფესორ-მასწავლებᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ და ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ სალექციო ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ წასაკითხავად, ᲪᲔᲚᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ სტუდენტებს (სწავლების სრული ᲙᲣᲠᲡᲘᲡ გავლა, ᲔᲠᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ წინასადიპლომო პრაქტიკა, 3-კვირიანი საწარმოო პრაქᲢᲘᲙᲐ სხვადასხვა სპეციალობაში).

ᲔᲜᲘᲩᲐᲠᲔᲑᲘ (თურქ. yeniçeri, სიტყვᲘᲗᲘᲕᲘᲗ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲐᲠᲘ), რეგულარული ქვეითი ჯარი ოსმალეთში. შეიქმნა XIV ს-ში. თავდაპირველად Ი-ის კორპუსი ᲐᲛᲮ. ტყვეებისაგან კომპლექტდებოდა, ᲛᲔᲛᲓᲔᲒ კი — ოსმალთა იმპერიის ქრისტ. ᲮᲡᲝᲚᲗᲐᲜᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲡ გაწვევით; საᲚᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ დარჩეულ ჭაბუკებს ამაპმადიᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ და ასწავლიდნენ საᲛᲮ. საქმეს. Ი. ᲧᲕᲔᲚᲜ სულთნის ტახტის დასაყრდენი და ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ პოლიტიკური ძალა. დაᲓᲚ XVI ს-იდან Ი-მა შექმნეს კარჩაკეᲚᲘᲚᲘ საᲛᲮ. კასტა, რ-იც უმეტესად მოსახᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲠᲪᲕᲘᲗ და ვაჭრობა-ᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ. Ი., როგორც საბრძოლო ᲫᲐᲚᲐ, მნიშვნელოვნად დასუსტდნენ, ᲛᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ მათი რაოდენობა. Ი. ᲔᲠᲔᲝᲓᲜᲔᲜ ᲡᲣᲚᲗᲜᲘᲡ მთავრობის პოლიტიკაში. აქᲢᲘᲣᲠᲐᲓ მონაწილეობდნენ სასახლის კარᲔ მოწყობილ შეთქმულებებში და გადᲐᲥᲪᲜᲔᲜ რეაქციის საყრდენად. 1826 სულᲗᲐᲜᲛᲐ მაპმუდ II-მ Ი-ის კორპუსი დაშალა.

ᲔᲜᲡᲔᲜᲘ (Jensen) იოჰანეს ვილჰელმ (20. 1873, ფარსე, იუტლანდია, — 25. XI. 1950, კოპენჰაგენი), დანიელი მწერალი. ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ (1944). გაᲘᲪᲐᲓᲐ ᲜᲘᲪᲨᲔᲡ გავლენა; გატაᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲝ რასობრივ-ბიოლ. თეორიით. მისი ᲬᲘᲢ. სტილისათვის დამახასიათებელია ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ და მოდერნისტული ტენდენᲪᲘᲔᲑᲘᲡ შერწყმა. Ი-ის მსოფლმხედველობა ᲒᲕᲐᲚᲜᲐᲗᲚᲘᲗ გამოჩნდა რომანებში: „დაᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ" (1896), „ᲔᲘᲜᲐᲠ ᲔᲚᲙᲠᲘ" (1898), „მადამ დ'ორა" (1904); ისტ. რომანში „ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ დამᲮᲝᲑᲐ" (ნაწ. 1—3, 1900—01), ეპოპეაში „გრძელი გზა" (ნაწ. 1—6, 1908—22); აღსანიშნავია Ი-ის ლექᲡᲘᲔᲑᲘᲡ კრებულები: „ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ" (1906), „ᲘᲣᲢᲚᲐᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲘ" (1931); მასვე ეკუᲗᲕᲜᲘᲡ მრავალი მოთხრობა, პუბლიც. წᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ და ნარკვევები.

ᲘᲔᲜᲡᲔᲜᲘ (Jensen) იოჰანეს ჰანს დანიელ (დ. 25. VI. 1907, ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ), გერმანელი ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘ. სწავლობდა ᲯᲔᲠ ᲤᲠᲐᲘᲑᲣᲠᲒᲘᲡ, შემდეგ კი ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ უნ-ტში. 1937—41 ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘᲡ უნ-ტის დოცენტი, ᲮᲝᲚᲝ 1941—49 ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘᲡ უმაღლესი ტექ. სასწავლᲔᲚᲘᲡ პროფესორი. 1949-იდან ᲰᲐᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲘᲡ უნ-ტის პროფესორი. უმთავრესი შრომები აქვს ატომის ბირთვის თეორიის საკითხებზე. Ი-მა თანამშრომლებთან ერთად (მ. *გეპერტ-მაიერისაგან* დამოუკიდებᲚᲐᲓ) დაამუშავა ბირთვის გარსული მოდელი (იხ. *ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘ*). ნობელის პრემია (1963).

ᲘᲔᲜᲩᲝᲞᲘᲜᲒᲘ (Jönköping), ქალაქი შვეᲪᲘᲐᲨᲘ, ᲕᲔᲢᲔᲠᲜᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮ. ნაპირზე. იენჩიპინგის ᲚᲔᲜᲘᲡ ადმ. ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 108 ათ. მᲪᲮ. (1977). მანქანათსაშ., ქაღალდისა და ასანთის მრეწველობა.

ᲘᲔᲠᲐᲠᲮᲘᲐ (ბერძნ. hierarchia<hieros— წმინდა და arche — საწყისი, ძალაუფლᲔᲑᲐ), მთელის ნაწილებისა და ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ განლაგება უმაღლესიდან უდაბლესᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ტერმ. პირველად იხმარა *დიონისე არეოპაგელმა*. XIX ს-მდე Ი. ქრისტ. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და თეოკრ. ძალაუფლებისაკენ ლტოლვას გამოხატავდა. XIX ს. II ნახევრიდან მას იყენებენ სოციოლოგიაში, კლასობრივანტაგონისტური საზ-ბების სოც.-პოლიტ. სტრუქტურათა ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ (კლასები, ᲬᲧᲓᲔᲑᲘ, ძალაუფლების ინ-ტები და სხვ.) განლაგების დასახასიათებლად. თანამედროვე ბურჟ. სოციოლოგია Ი-ის ცნებას იყენებს სოც. უთანასწორობის სხვადასხვა „სტრატიფიკაციული" გამოვლᲔᲑᲘᲡ აღსანიშნავად.

Ი-ის ცნება ფართოდ იხმარება სისტემათა ზოგად თეორიაში, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ, მართვის მეცნიერებაში, ლინგვისტიკაში და სხვ. მარქსისტული ფილოს. მიხედვით, იერარქიულად ორგანიზებული და ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲖᲔ პრინციპულად არადაყვანადია მატერიის სხვადასხვა სტრუქტურული დონე (არაორგანული, ბიოლოგიური და სოციალური). *გ. ასათიანი.*

ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲨᲘ, მართვის მრავალსაფეხურიანი სისტემების (დარგის ან საწარმოს მართვის ავტომატიზებული სისᲢᲔᲛᲔᲑᲘ, ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ გამომთვლელი კომპᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ და ა. შ.) აგების პრინციპი, რ-ის დროსაც მართვის ფუნქციები ნაწილდება სისტემის თანადაქვემდებარებულ ნაწᲘᲚᲔᲑᲘ შორის. მართვის Ი. პ-ის შესაბამისად მაღალი დონის ქვესისტემების განწოგადებული მმართველი სიგნალები გადაეცემა დაქვემდებარებულ ქვესისტემებს საᲛᲐᲠᲗᲐᲕᲐᲓ და, პირიქით, იერარქიის დაბალი დონის კონკრ. მაუწყებელი და მავალებელი სიგნალები გამოიყენება ზემდგომი ქვესისტემების მმართველი სიგნალᲔᲑᲘᲡ ფორმირებისათვის. თანამედროვე გამომთვლელ სისტემებში იყენებენ ᲔᲠ. Წ. ᲓᲘᲡᲞᲔᲢᲩᲔᲠ-ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ, რ-იც განსაზღვრავს სისტემის ცალკეული მოწყობილობის ოპტიმალური დატვირთვის გეგმას და მართავს ᲧᲕᲔᲚᲐ პროგრამასა და ქვეპროგრამას. მართვის Ი. პ. მჭიდროდაა დაკავშირებული მართვის სისტემების ორგანიზაციის პრინციპთან. მაგ., დეცენტრალიზებული მართვის პრინციპის გამოყენება საწარმოს მართვის მრავალსაფეᲮᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ სისტემის აᲒᲔᲑᲘᲡ დროს უზრუნველყოფს ზედა რგოლის ძირითადი ცგმ-ის მეტად ეფექტურ გამოყᲔᲜᲔᲑᲐᲡ. ამ დროს შიგა საამქროს ინფორმაᲪᲘᲘᲡ დიდი ნაწილი გადაეცემა მართვის



ᲘᲔᲜᲐᲨᲘ. ᲘᲝᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. XII—XIV სს.

ᲡᲐᲨ. და დაბალი რგოლების გამომთვლელ მოწყობილობებს, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება მმართველი ინფორმაციის ნაკადები. ამასთან ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელი ᲮᲓᲔᲑᲐ შედარებით მცირე დროში.

ᲘᲔᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ (<ბერძნ. hieratikos—საკულტო, წმინდა), გამოსახულები სსაზეიმო სტატიკურობა და განყენებულობა (ადამიᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲣᲠᲐ მკაცრ ᲤᲠᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠ პოზაში, უძრავი გამოხედვით), რაც განპირობებულია რელიგ.-კანონიკური დოგმებით, ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘ „Ი." ძირითადად იხმარება ძვ. მსოფლიოსა და შუა საუკ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ შესწავლისას.

ᲘᲔᲠᲐᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ, ძვ. ეგვიᲞᲢᲣᲠᲘ დამწერლობის ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ სახეობა, იეროგლიფიური დამწერლობის კურსივᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ. ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘᲗ ᲩᲬᲔᲠᲐ ᲞᲐ�პᲘᲠᲣᲡᲖᲔ და იშვიათად ᲥᲕᲐᲖᲔ მოითხოვდა სწრაფ წერას, რასაც იეროგლიფიკა ᲕᲔᲚᲐᲠ აკმაყოფილებდა. ამიტომ უკვე პირველი დინასტიის ᲮᲜᲐᲨᲘ (დაახლოებით ძვ. წ. XXX ს.) მის პარალელურად განვითარდა დამწერლობა, რ-საც მოგვიანებით Ი. Დ. ᲔᲬᲝᲓᲐ. პირველ ᲮᲜᲔᲑᲘᲨᲘ Ი. Დ. საᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ იხმარებოდა როგორც საᲚᲛᲠᲗᲝ შინაარსის ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ, ისე საქმიანი ქაღალდების შესადგენად, ᲮᲝᲚᲝ ძვ. წ. VII ს-იდან, დემოტიკური დამწერლობის შემუშავების შემდეგ, Ი. Დ-ს მხოლოდ რᲔᲚᲘ�გ. ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ ფიქსაციისათვის იყენებᲓᲜᲔᲜ.

ᲘᲔᲜᲐᲨᲘ. ᲝᲗᲮᲗᲐᲕᲘᲡ ᲧᲓᲐ-ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ. XIII ს. პირველი მეოთხედი.

განვითარების ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ, განსაკუთᲠᲔᲑᲘᲗ ძვ. წ. XII ს-იდან, Ი. Დ. ძლიერ დაშორდა მის ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲘᲡ — იეროგლიᲤᲣᲠ დამწერლობას და შემდეგ ძᲚᲔᲚᲐᲓ გასარჩევი გახდა. Ი. Დ-მ დაახლოებით 3 ათ. წელი იარსება (იხ. წ. III ს-მდე). თავდაპირველად მისთვის დაწერილობის ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ მიმართულება იყო დამახასიათებელი, ᲮᲝᲚᲝ შემდგომ — ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ (მარჯვნიდან მარცხნივ). თუმცა Ი. Დ-ის გარეგნული მხარე იეროგლიფურთან შედარებით შეიცვალა, დამწერლობის სისᲢᲔᲛᲐ იგივე დარჩა.

Ჯ. ᲘᲔᲜᲘ.

ᲘᲔᲠᲒᲔᲜᲡᲔᲜᲘ (Jørgensen.) ანკერ (დ. 1922), დანიის ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ 1972—73 და 1975 თებერვლიდან. 1962 აირჩიეს არაკვალიფიციური მუშების ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მდივნად. 1964—68 ამ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ორგანოს გაზ. „დაგბლადეტის" („Dagbladet") რედაქტორი. 1968—72 არაკვალიᲤᲘᲪᲘᲣᲠᲘ მუშების ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ თავ-რე. 1971-იდან დანიის ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠ. გაერთიანების აღმასრ. კომიტეტის წევრი. 1964-იდან ფოლკეტინგის დეპუტატი დანიის ს.-დ. პარტიიდან.

ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐ (ებრ. ᲘᲔᲠᲔᲛᲘᲐᲰᲣ), ძველი აღთქმის ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ „დიდი წინასწარმეტყველი". Ი-ს ᲮᲐᲜ�გრძლივი მოღვაწეობა, რ-იც დაახლ. ძვ. წ. 626 დაიწყო, იუდეის სამეფოს დამოუკიდებლობის ბოᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ დაემთხვა. Ი. თვლიდა, რომ ბრძოლა ბაბილონთან ამაო იყო და ᲔᲣᲓᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ მოუწოდებდა დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს. იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ძვ. წ. 586) ეგვიპტეში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. Ი-ს სახელით ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ წიგნი მთლიანად მას არ ეკუთᲕᲜᲘᲡ; ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ მოცულობა და თავთა თა-

იერიქონი. თიხის ჭურჭელი.

იერიქონის ვარდი (Odontospermum pygmaeum): ა — გახსნილი; ბ — დახურული ყვავილთებით.

ნამიმდევრობა განსხვავებულია ებრ. ორიგინალში და უძველეს ბერძნ. თარგმანში — სეპტუაგინტაში. ქართ. ტექსტი ამ მხრივ ბერძნულს უახლოვდება. არსებობს O-ს წიგნის რამდენიმე ძვ. ქართ. თარგმანი. ფრაგმენტები შემორჩენილია V—VII სს. ხანმეტ ტექსტებში. მთლიანად წიგნი არის ოშკის ბიბლიაში (978). არსებობს O-ს წიგნის სხვა, უფრო გვიანდელი ტექსტებიც (XII ს. „ფელათის ბიბლია"). O-ს სახელიდან, რ-ის გოდებაზე იერუსალიმის დაცემის გამო მოთხრობილია ბიბლიაში, მოდის ი ე რ ე მ ი ა დ ა, მოთქმა, გოდება, ჩივილი, წუწუნი.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა კ., იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, თბ., 1964; B e n t z e n A., Introduction to the Old Testament, Cph., 1962.

ზ. შანიძე.

იერინგი (Ihering) რუდოლფ ფონ (22. VIII. 1818, აურიხი, — 17. IX. 1892, გეტინგენი), გერმანელი იურისტი. ბაზელის, როსტოკის, კილის, გისენის, ვენისა და გეტინგენის უნ-ტების პროფესორი 1842—92. სამოქალაქო სამართლის დარგში ფართოდაა ცნობილი O-ის შრომები. მის სახელთანაა დაკავშირებული სამართ. და სახელმწიფოს სოციოლოგიური შესწავლა ბურჟ. მეცნიერებაში. O-ის თეორიაში, რ-საც იგი რეალისტურს უწოდებდა, სამართალი გაგებულია როგორც იურიდიულად დაცული ინტერესი: ინტერესში, მიზანში, პრაქტ. სარგებლიანობაში იგი ხედავდა სამართ. ცნების არსებით ელემენტს. O. შეისწავლიდა სამართალს, როგორც ადამიანთა ინტერესების ბრძოლის პროდუქტს, მაგრამ იგი შორს იყო ამ ბრძოლის კლასობრივი გაგებისაგან.

O-ის მოძღვრებამ გავლენა მოახდინა XX ს. ზოგიერთი ბურჟ. სამართ. დოქტრინის ჩამოყალიბებაზე, როგორიცაა „ინტერესთა იურისპრუდენცია" გერმანიაში, იურიდ. პრაგმატიზმი აშშ-ში და სხვ.

თხზ.: Der Zweck im Recht, Bd. 1—2, Lpz., 1877—83; ბრძოლა უფლებისათვის, თარგმ. ი. ბაქრაძისა, ქუთ., 1908.

იერიქონი (ძვ. ებრ. ე რ ი ქ ო, ბერძნ. Ierichō), ერთ-ერთი უძველესი ქალაქი პალესტინაში, თანამედროვე იორდანიის ტერიტორიაზე (იერუსალიმის ჩრდ.-აღმ-ით 22 *კმ*-ზე შემორჩენილია ნანგრევები, ახლანდ. ნაქალაქარი თელ-ელ-სულთანი). გათხრები მიმდინარეობდა 1867, 1907—08, 1930—36, 1952—56. ძვ. დასახლება მიეკუთვნება ე. წ. უკერამიკო ნეოლითის ხანას (ძვ. წ. VII—VI ათასწლ.). აღმოჩნდა ალიზის სახლები, საკურთხევლები და ქვის თავდაცვითი ნაგებობანი. მოსახლ. მისდევდა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III ათასწლ.) აქ ქალაქის ტიპის დასახლება ყოფილა. O-მა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ძვ. წ. XVIII—XVI სს-ში, როდესაც მას ორმაგი კედელი შემოავლეს. ამავე დროისაა მდიდრული ჯგუფური სამარხები. ძვ. წ. II ათასწლ. ბოლოს O. დაანგრიეს პალესტინაში შემოჭრილმა ებრაულმა ტომებმა. ძვ. წ. IX ს. შუა წლებში იგი ნაწილობრივ აღდგა. რომაულ ხანაში (ძვ. წ. I ს.) O. გაშენდა ძვ. O-ის სამხრ.-დას-ით, ტიპური ელინისტურ-რომაული გეგმით, ძვ. ნაქალაქარზე კი ამ დროს ნეკროპოლი იყო.

ლიტ.: M a c c o n B. M., Докерамический неолит Иерихона, «Советская археология», 1958, № 3.

იერიქონის ვარდი, უდაბნოს იმ ერთწლოვან მცენარეთა სახელწოდება, რ-თა ღეროები თესლის მომწიფების შემდეგ ხმება, ბურთისებრ ფორმას იღებს, სწყდება ფესვებს და ქარს დიდ მანძილზე გადაატარებს (იხ. *ბურბურა*). ნესტიან ამინდში ამ მცენარეების თესლი ცცივა და ღიდდება. O. მ-ის სახელით ყველაზე მეტად ცნობილია რთულყვავილოვანთა ოჯახის Odontospermum pygmaeum (გავრცელებულია კანარის კუნძულებსა და საჰარაში) და ჯვაროსანთა ოჯახის Anastatica hierochuntica (ხარობს მაროკოდან სამხრ. ირანამდე).

იერიში, ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი, მძაფრი, შეუჩერებელი მოძრაობა მოწინააღმდეგის მიმართულებით და მის გასანადგურებლად, სხვადასხვა გვარეობათა ჯარების შეთანხმებული დარტყმა. O. შეიძლება იყოს ქვეითი, სატანკო, საჰაერო, სატორპედო (საზღვ. ბრძოლაში) და სხვ.

იეროგლიფები (ბერძნ. hieros — საღვთო და glyphē — ამოჭრილი, ამოკვეთილი), ეგვიპტური დამწერლობის უძველესი, ხატოვანი ნიშნები. იხმარებოდა ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლოდან. ზოგიერთი O. გამოხატავს მთელ სიტყვას (უმრავლესობა), მის ნაწილს (ძირს), ცალკეულ თანხმოვან ბგერას (30-მდე); გვხვდება აგრეთვე დამხმარე ნიშნები (ე. წ. დეტერმინატივები), რ-ებიც აზუსტებენ სიტყვის მნიშვნელობას და ტექსტის წაკითხვისას არ გამოითქმიან.

O-ს უწოდებენ აგრეთვე ჩინ. დამწერლობის როგორც უძველეს (ძვ. წ. II ათასწლ.), ისე თანამედროვე ნიშნებს, ასევე ძვ. წ. II—I ათასწლ. ხეთური დამწერლობის ნიშნებს, რ-ებიც იხმარებოდა ხეთურში სოლისებრი დამწერლობის შემოღებამდე.

ლიტ.: J e n s e n H., Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, 2. Aufl., B., 1958.

„იეროგლიფების თეორია", აგნოსტიკური კონცეფცია გნოსეოლოგიაში, რ-ის თანახმად შეგრძნებები არის ნივთთა პირობითი ნიშნები (სიმბოლოები, იეროგლიფები) და არა მათი ობიექტური თვისებები. „O. თ." შექმნა ჰ. ჰელმჰოლცმა. იგი, ერთი მხრით, ცნობს, რომ შეგრძნება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გარე სამყაროს საგანთა ზემოქმედება გრძნობის ორგანოებზე. ხოლო, მეორე მხრით, უარყოფს მათ მსგავსებას ამ საგნებთან. „O. თ-ის" წარმოშობა დაკავშირებულია სამყაროზე მექანისტურ წარმოდგენასთან. ამ თეორიის მიმართ მცდარი პოზიცია ეკავა გ. პლეხანოვს, მისი აზრით, შეგრძნებები, როგორც თავისებური იეროგლიფები, გვაწვდიან ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ობიექტურ სინამდვილეში. ვ. ი. ლენინმა ბუნებისმეცნიერების მონაპოვრების განზოგადების საფუძველზე დაასაბუთა, რომ შეგრძნება წარმოადგენს მოძრავი მატერიის თვისების სუბიექტურ გამოხატულებას.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; Основы марксистской философии, М., 1958, гл. 5.

გ. რუსია.

იეროთეოზი, იხ. *იოანე ლაზი.*

იერონიმ პრაღელი (Jeronym Pražský) (დაახლ. 1380 — 30. V. 1416, კონსტანცი), ჩეხი მეცნიერი, რეფორმატორი, ორატორი, ი. *ჰუსის* თანამოაზრე. განათლება მიიღო პრაღის უნ-ტში; 1399 იყო ოქსფორდში, გახდა ჯ. *უიკლიფის* მიმდევარი. 1405—06 ლექციებს კითხულობდა პარიზის, ჰაიდელბერგისა და კელნის უნ-ტებში. 1407 დაბრუნდა პრაღაში. თავის ქადაგებებში და დისპუტებზე ამხელ[illegible] კათოლ. საღვთისმეტყველების ბოროტმოქ[illegible]დებას, იბრძოდა ჩეხიაში გერმანელ[illegible] ძალადობის წინააღმდეგ. ი. ჰუსის დაპატ[illegible]მრების შემდეგ გაემგზავრა კონსტანც[illegible] სადაც შეიპყრეს და კოცონზე დაწვეს.

იერუსალიმი (ბერძნ. Ierusalēm, ებრ. [illegible] იერუშალაიმი, არაბ. ალ-კუდსი [illegible] წმინდა), ქალაქი წინა აზიაში, პალ[illegible]სტინაში, მკვდარი ზღვის დას-ი[illegible] ნახევრად უდაბნო ზეგანზე. 356 [illegible] მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. საავ[illegible]გზების კვანძი. სამრეწვ., სავაჭრო-ს[illegible]რანსპ. და კულტ. ცენტრი. კვების, საფე[illegible]რო, ტყავ-ფეხსაცმლის, ლითონდასამუ[illegible] ფარმაცევტული, მინის, პოლიგრ., მრ[illegible]ველობა; რადიოაპარატურის ქ-ნა. ბრი[illegible]ანტის დაწახნაგების ერთ-ერთი ცენტრ[illegible] ქრისტიანთა, იუდეველთა და მუსლიმ[illegible] „წმიდა ქალაქი".

O. პირველად *თელ-ელ-ამარნის* [illegible] *ქიეში* იხსენიება (ძვ. წ. 1400). ამ დრ[illegible] იგი უკვე კარგად გამაგრებულ ქალა[illegible] წარმოადგენდა და იებუსიტებს ეკავა[illegible] ბიბლ. ტრადიციით, ისრაელების მი[illegible] ქანაანის (პალესტინა) დაპყრობის შემდ[illegible] O. იუდას და ბენიამინის ტომებს ხვდ[illegible] წილად. ძვ. წ. 1000 *დავითმა* O. ისრაელ[illegible] სამეფოს დედაქალაქად გამოაცხადა, აა[illegible] მონუმ. ნაგებობები, ქალაქს გალავა[illegible] შემოარტყა და „შიდა გალავანიც" გაა[illegible]რა, რის გამოც O. დას. და აღმ. ნაწილებ[illegible] გაიყო. *სოლომონის* დროს O. ებრაელებ[illegible] პოლიტ. და რელიგ. ცენტრი გახდა. [illegible] სახელთან არის დაკავშირებული *იაჰ*[illegible] ტაძრის (ე. წ. სოლომონის ტაძარი) აგე[illegible] ძვ. წ. 586 *ნაბუქოდონოსორ II-მ* O. დაა[illegible]რია და მოსახლ. ტყვედ წაასხა (ბაბილ[illegible]ნის ტყვეობა), სპარს. მეფის კიროს[illegible] დროს, ძვ. წ. 538, O-ში კელავ დასახლ[illegible]ნენ ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუ[illegible]ბული ებრაელები. ძვ. წ. IV ს-ში O. ალ[illegible] სანდრე მაკედონელის სახელმწიფოში [illegible] დიოდა. ძვ. წ. III ს-ში პტოლემეების და [illegible] ლეკიდების ბრძოლის ობიექტი იყო. *ჰ*[illegible]*როდე I* დიდის (ძვ. წ. 73) დროს O. აღორ[illegible]ნდა, დამშვენდა დიდებული სასახლეებ[illegible] ძვ. წ. 63 რომაელებმა აიღეს. *იუდეველ*[illegible]*ომის* (66—73) დროს რომაელთა სარდალ[illegible] ტიტუსმა O. აიღო და მთლიანად დაა[illegible]რია. II ს-ში O-ის ადგილას რომაელებ[illegible] კოლონია Aelia Capitolina დააარსეს. [illegible] ს-ში იმპ. კონსტანტინემ O. ქრისტ. წმი[illegible] ქალაქად გამოაცხადა. 638 არაბთა სა[illegible]ლიფომ დაიპყრო და მექის შემდეგ მ[illegible]ლიმანთა წმიდა ქალაქად იქცა. 1099 ჯ[illegible]როსნებმა დაიკავეს, 1187 ეგვ. სულთან[illegible] სალაჰ ალ-დინმა (სალადინმა) დაიპყრ[illegible] 1517—1917 O. ოსმალთა იმპერიაში [illegible] დიოდა. 1917 დეკ. ინგლ. ჯარებმა დაი[illegible]ვეს. 1920—47 პალესტინაში ინგლ. სამ[illegible]დატო ტერიტ. ადმ. ცენტრი იყო. 19[illegible] წ. 29 ნოემბ., გაეროს გენ. ასამბლეის [illegible] დაწყვეტილებით, O. გამოცხადდა დამ[illegible]კიდებელ ადმ. ერთეულად სპეც. საერთ[illegible]რეჟიმით, რ-იც მხოლოდ გაეროს ემორ[illegible]ლებოდა. არაბ.-ისრაელის ომის (194[illegible] 49) შემდეგ O. ორ ნაწილად გაიყო: [illegible] მოსავლეთი იორდანიას გადაეცა, დას[illegible]ლეთი — ისრაელს. 1950 იანვ. ისრაელ[illegible] მთავრობამ გაეროს გადაწყვეტილების [illegible] წინააღმდეგოდ O. ისრაელის დედაქალ[illegible]ქად გამოაცხადა. დიდმა ბრიტანეთ[illegible] სსრკ-მა, აშშ-მა, საფრანგეთმა და [illegible] სახელმწიფოებმა არ ცნეს ეს აქტი. 19[illegible] იანვ. ისრაელმა O-ის აღმ. ნაწილი [illegible]იტაცა. გაეროს გენ. ასამბლეის V სპეც. [illegible]განგებო სესიამ (1967 წ. 4 და 14 ივ[illegible] მიიღო რეზოლუციები, რ-ებიც ისრაელ[illegible] მთავრობისაგან მოითხოვდა ხელი აე[illegible] O-ის აღმ. ნაწილის ანექსიაზე. მაგრამ [illegible]რაელის მთავრობა ამ გადაწყვეტილებ[illegible] არ დაემორჩილა. 1968 წ. 21 მაისს უშ[illegible]როების საბჭომ მოუწოდა ისრაელ[illegible] მთავრობას შეეცვალა თავისი პოლიტ[illegible]კა. უშიშროების საბჭომ თავისი პოზიც[illegible]

იეროგლიფები. ხეთური იეროგლიფური დამწერლობა.

იდევ დაადასტურა 1969 წ. 3 ივლ. და 971 წ. 25 სექტ. რეზოლუციებით.

Ი-ის აღმ. ნაწილში შემორჩენილია ლინისტური და რომაული ხანის ხუროთ-ოძღვრული ძეგლების ნაშთი; ნანგრევები დრინდ. ქრისტ. ძეგლებისა (დაწყებული V ს-იდან): როტონდისა „უფლის საფლავი" (გადაკეთებულია მრავალჯერ), ბრიტტებისა და სხვ.; არაბ. კულტ. ძეგლ-ებიგან აღსანიშნავია კუბათ ალ-სახრისა (687—91, აგებულია რომაელთა მიერ დანგრეული სოლომონის ტაძრის ადგილ-ზე) და ალ-აქსას (გადაკეთებულია ქრისტ. ბაზილიკიდან VIII ს. დასაწყისში, კაპი-ტალურად გადააკეთეს 780 და 1035) მეჩე-თები. შემონახულია აგრეთვე XI—XII სს. ეკლესიები (წმ. ანასი, წმ. იაკობისა და სხვ.), XIV ს. ციტადელი (გადაკეთებუ-ლია XVI ს-ში), XVI ს. ქალაქის კედლები ჭიშკრებით (მ. შ. დამასკის ჭიშკარი, 1537). Ი-ის დას. ნაწილის განაშენიანება XIX ს. II ნახევარში დაიწყო. აშენდა ბევ-რი ახ. ნაგებობა, რ-თაგან აღსანიშნავია უნ-ტის კომპლექსი (დაიწყო 1954), სამედ. ცენტრი (1960, ი. ნეიფელდი), ისრაელის ეროვნ. მუზეუმი, ეროვნ. მუზეუმი „ბეცა-ელელი". ებრ. უნ-ტი (დაარსდა 1918).

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲐᲡᲘᲖᲔᲑᲘ, იერუსალიმის ამეფოს სამართლებრივ ძეგლთა კრებუ-ლი (XI—XII სს.). ძეგლში ერთმანეთთან რის შეთანხმებული და გადამუშავებული ერუსალიმის სამეფოს *კუტიუმები*. Ი. ა-ში ირითადად მოწესრიგებულია ფეოდალე-ბისა და მათი ვასალების ურთიერთობა, ანსაზღვრულია მეფის ხელისუფლების პრეროგატივა. Ი. ა. მნიშვნელოვანია რო-გორც ფეოდ. სამართლის ყველაზე უფრო დახვეწილი და ჩამოყალიბებული ძეგლი.

გ. ნადარეიშვილი.

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ, დასავლეთევრო-პული ყაიდის უმსხვილესი სამხედრო-ფეო-დალური სახელმწიფო, რ-იც დაარსდა ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის (იხ. *ჯვაროსნული ლაშქრობები*) დროს, ჯვა-როსნების მიერ 1099 იერუსალიმის აღების შემდეგ. Ი. ს-თან ვასალურ დამოკიდებუ-ლებაში იყო 3 ფეოდ. სამთავრო — ანტი-ოქიის სამთავრო, ედესისა და ტრიპოლის ოგრაფოები. Ი. ს-ს პირველი მეფე იყო ოდფრუა ბუიონელი. ტერიტორიულად და ორგანიზაციულად Ი. ს. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ბოდუენ I-ის მეფობაში (1100—18); მისი სოც. წყობილება ასახუ-ლია ე. წ. *იერუსალიმის ასიზებში*. Ი. ს-ს ოფიც. ენა იყო ფრანგული. ქ-ებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ იტალ. ვაჭ-რები. მწვავე კლასობრივი ბრძოლა იყო დაპყრობილ მოსახლეობასა და დამპყრო-ბელ „ლათინ" ფეოდალებს შორის, რა-საც ზედ ერთვოდა შინაფეოდ. ბრძოლები. ბაჰმადიანურ გარემოცვასთან საბრძოლ-ველად შეიქმნა რეგულარული სამხ. ნა-წილები *სასულიერო რაინდული ორდენე-ბი (იხ. თოანიტები, ტამპლიერები, ტევ-ტონთა ორდენი)*. თურქ-სელჩუკთა მიერ ედესის დაპყრობის შემდეგ (1144) Ი. ს-მ ვავშირი დაამყარა ბიზანტიასთან. მიუ-ხედავად ამისა, უშედეგოდ დასრულდა Ი. ს-ს მიერ დამასკის აღების ცდა (1148) და ეგვიპტის წინააღმდეგ ბიზანტიასთან ერთად წამოწყებული ომი (1168). ეგვ. სულთანმა *სალაჰ ალ-დინმა* (სალადინი) 1187 ომი გამოუცხადა Ი. ს-ს. Ი. ს-ს მეფე გი დე ლუზინანი ტყვედ ჩაუვარდა სალადინს. ხატინის ბრძოლაში (1187) სალადინმა დაიპყრო თითქმის მთელი Ი. ს. 1229 Ი. ს-ს დაეუფლა „საღვთო რომის იმპერი-ის" იმპერატორი *ფრიდრიხ II* შტაუფე-ნი. Ი. ს-ში დაწყებული არეულობით ისარ-გებლეს ეგვ. მამლუქებმა და 1244 აიღეს ქ. იერუსალიმი, 1263-იდან კი თანდათან ხელეთ იგდეს Ი. ს-ს სხვა ქ-ები. უცხოური წყაროებით, დავით IV აღმაშენებელს კავ-შირი ჰქონდა Ი. ს-თან, ხოლო ქართ. მა-ტიანეებში („ისტორიანი და აზმანი შა-რავანდედთანი") შემონახულია ცნობა, რომ „მეფენი იერუსალიმთანი" „სძლუნობ-დეს და სძმობდეს" საქართვ. მეფე *გიორ-გი III-ს*. არსებობს ცნობები ტამპლიერე-ბის („მეტაძრეთა") ურთიერთობის შესა-ხებ ქართველთა ჯვრის მონასტერთან.

გ. ჟორდანია.

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲔᲙᲚᲘᲡᲘᲐ, იერუსალიმის ქართული სავანის — ჯვრის მონასტრის სიძველეთა შემსწავლე-ლი სამეცნიერო ექსპედიცია 1960 ოქტ.-ნოემბერში ი. აბაშიძის, ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ძვ. ქართ. წყაროების მონაცემებით, მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე გამოხატული უნდა ყოფი-ლიყო შოთა რუსთაველის პორტრეტი. Ი. ს. ე-მ მანამდე არსებულ აღწერილობათა (ტ. გაბაშვილის, ნ. ჩუბინაშვილის, ა. ცაგარელისა და სხვ.) მიხედვით მიაგნო ფრესკის ადგილს, რ-იც მთლიანად შავი საღებავით იყო დაფარული. საღებავის ზემოთა ფენის მოშორების შემდეგ შესაძ-ლებელი გახდა ფრესკის მთლიანად აღ-დგენა. მასზე გამოხატულია საერო ტან-საცმელში გამოწყობილი, ორი წმინდა-ნის — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმ-სარებლის — წინაშე მუხლმოდრეკილი და ხელაღაპყრობილი შოთა რუსთაველი. აღდ-გა ფრესკის წარწერაც, რ-იც მანამდე წყაროებში ზუსტად არ იყო ფიქსირებუ-ლი: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდ-ენეს ღმერთმან, ამინ". პოეტის გამოსახუ-ლების ქვემოთ მინაწერია: „რუსთველი". Ი. ს. ე-მ ფრესკის ფერად ფოტოებთან ერთად საქართველოში ჯვრის მონასტრის სხვა ფოტომასალაც ჩამოიტანა. შოთა რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტი თავისი სიძველითა და მნიშვნელობით უნი-კალური მონაპოვარია პოეტის ბიოგრაფი-ისათვის.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე ი., სიტყვები. გზე-ბი. სახვები, თბ., 1971; ა ბ ა შ ი ძ ე ი., შ ა ნ ი ძ ე ა., წ ე რ ე თ ე ლ ი გ., შოთა რუსთაველი ჯვრის მონასტერში, „საბჭოთა ხელოვნება", 1960, № 12; შ ა ნ ი ძ ე ა., ვეფხისტყაოსნის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1966.

ს. ცაიშვილი.

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ, ერთ-ერთი ქრისტიანული მართლმადიდებლუ-რი ეკლესია რომის იმპერიის აღმ. ნაწილ-ში, დაარსდა V ს-ში რომის იმპ. თეოდო-სიუს II-ის წყალობით. ქალკედონის საეკლ. კრებამ (451) იერუსალიმის ეპისკო-პოსს პატრიარქობა მიანიჭა და პალესტი-ნის არაბებისა და ფინიკიის ეპისკოპოსები დაუქვემდებარა. პატრიარქის სამყოფელი იყო იერუსალიმის მთავარი სამლოცველო, ქრისტეს საფლავის ცენტრ. მონასტერი (ქრისტეს საფლავი, *გოლგოთა, აღდგომის სავანე*), რ-ის ილუმინაციაც იგი ითვ-ლებოდა. Ი. ს-მ განსაკუთრებულ აღმავ-ლობას V—VII სს-ში მიაღწია. Ი. ს-ს ძლი-ერების პერიოდში „წმიდა მიწაზე" 130-მდე მონასტერი მოქმედებდა. აქ მოღვაწეობ-დნენ ქრისტ. ეკლესიის ცნობილი მოღ-ვაწენი ევთვიმე დიდი, საბა განწმედილი და სხვ. იერუსალიმში მონასტრებს აშენებ-დნენ ქართველებიც. აქვე შეიქმნა პირვე-ლი წესდება — ტიპიკონები, რ-ებიც სხვა ქვეყნებშიც, მ. შ. საქართველოშიც გავრ-ცელდა. VII ს-იდან იწყება Ი. ს-ს დაქვეი-თება, რაც ქალაქის უცხოელ დამპყრობთა— სპარსელების, არაბების, ოსმალების თა-რეშმა გამოიწვია. იერუსალიმში მუს-ლიმთა ბატონობის დროიდან აიკრძალა ეკლესია-მონასტრების აღდგენა-მშენებ-ლობა. ქრისტიანთათვის შემოიღეს დაშმ-ცირებელი წესები; როგორც ეკლესია-მონასტრები, ისე ქრისტ. მოსახლ. დაბეგ-რეს დიდი გადასახადებით. დაიწყეს ქრისტ. სამლოცველოების დანგრევა და მეჩეთების შენება. როგორც ბიზანტ. იმპერატორები, ისე სხვა ქრისტ. ქვეყნე-ბის მეფე-მთავრები ცდილობდნენ Ი. ს-ს მდგომარეობის გაუმჯობესებას დიპლ. გზით თუ სასყიდლის გაღებით. ბიზანტ. იმპ. ისაკ II ანგელოსის (1185—95) დროს Ი. ს-ს კვლავ დაუბრუნდა ეკლესიები (აღ-დგომის სავანე, ბეთლემი და სხვ.), კვლავ დაუმკვიდრდა ქრისტ. „წმინდა ადგილე-ბის" მფლობელობა. იერუსალიმში ოს-მალთა გაბატონების (1517) დროიდან პატრიარქი და სამღვდელოება გაათავი-სუფლეს გადასახადებისაგან, დაუშვეს თა-ვისუფალი მღვდელთმსახურება და სხვ., მაგრამ პატრიარქებს ყოველწლიურად დიდძალ თანხას ართმევდნენ იერუსა-ლიმის „წმიდა ადგილების" შემოსავალი-დან. ქალაქის მუსლიმთა ხელში გადასვ-ლის გამო საუკუნეთა მანძილზე იკლო პილიგრიმთა რიცხვმა, რასაც საპატრიარ-ქოს შემოსავლის შემცირება მოჰყვა. ქრისტ. მოსახლ. დიდი ნაწილი სხვა ქვეყ-ნებში გადაიხვეწა. ეკლესია-მონასტრე-ბის უმეტესობა აღარ მოქმედებდა. ამიტომ საპატრიარქოს ეკონ. მდგომარეობის გამო-სასწორებლად პატრიარქები ხშირად მოგ-ზაურობდნენ ქრისტ. ქვეყნებში შეწირუ-ლებათა შესაგროვებლად. Ი. ს-ს პატრი-არქთაგან უსაჩინოესი იყო დოსითეოსი (1672—1706), რ-ის დროსაც შედგა მართლ-მადიდებლური ეკლესიის სიმბოლური დო-კუმენტი „აღსარება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა". Ი. ს-ს მეთაური იწოდება პატრიარქად „წმიდისა ქალაქისა იერუსა-ლიმისა და სრულიად პალესტინისა", კა-თედრა ქ. იერუსალიმშია. საქართველოს ურთიერთობას Ი. ს-თან მრავალსაუკუნო-ვანი ისტორია აქვს. V—VIII სს-ში პალეს-ტინაში და სინის მთაზე 20-მდე ქართული სავანე ყოფილა. თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა იერუსალიმის ჯვრის მონას-ტერი, რ-იც საუკუნეთა მანძილზე ქართვ. მოღვაწეთა ცენტრი იყო იერუსალიმში. აქ იყრიდა თავს ქართ. კოლონიის საუკე-თესო ძალები. VII—X სს-ში საქართვ. ეკლესიებში წირვა-ლოცვის რიტუალის სა-ხელმძღვანელოდ გამოიყენებოდა Ი. ს. ტაძრის ტიპიკონი. საქართვ. ეკლესია, ისე როგორც სხვა საპატრიარქოები, მი-რონს ღებულობდა Ი. ს-იდან, რაშიც დიდ გასამრჯელოს უხდიდა იერუსალიმის პატრიარქს. IX ს-იდან *ეფრემ მაწყვე-რელმა* იერუსალიმის პატრიარქის ნებარ-თვით მცხეთაში მირონის კურთხევის უფ-ლება მიიღო. Ი. ს-ს მონასტრებში მოღვა-წე ქართვ. მწიგნობარ-მეცნიერთაგან X—XIII სს-ში ცნობილია იოანე-ზოსიმე (X ს.), ეფრემ მცირე (XI ს.), იეზეკიელი (XII ს.), ნიკოლოზ გულაბერისძე (XII ს.) და სხვ. გოლგოთაც და აღდგომის სავა-ნეც ქართველების საკუთრება ყოფილა. ამაზე მეტყველებს იერუსალიმის პატრი-არქის დოსითეოსის წერილი, რ-იც მას XVII ს-ში ერეკლე I-თვის გაუგზავნია. აქ აღნიშნულია ბაგრატიონთა ღვაწლი

ეერონიმ პრალელი.



იერუსალიმი. *კუბათ ალ-სახრის* მეჩეთი. 687-691. ზემოთ—ჭრილი, ქვემოთ — —გეგმა.

0. ს-ს წმიდა ადგილების დაცვა-პატრონობაში და ან ადგილებზე ქართველთა განსაკუთრებული პრივილეგიები; წერილში ნათქვამია, რომ გოლგოთაზე ყოფილა ვახტანგ გორგასალის ქართ. წარწერა. არაბი ისტორიკოსის იბნ შადადის ცნობით, თამარ მეფეს სულთან სალაჰ ალ-დინისათვის 200 ათ. დინარი გადაუხდია ეგვიპტის მიერ მიტაცებული სავანეების გამოსახსნელად. მას შემდეგ სულთნები ქრისტიანებს წესიერად ექცეოდნენ, ხოლო ქართველები გადასახადებისაგანაც გაათავისუფლეს. ვენეციელი ისტორიკოსის სანუდოს (1270 — დაახლ. 1343) ცნობით, მხოლოდ ქართველებს ჰქონდათ უფლება შესულიყვნენ იერუსალიმში ცხენებზე ამხედრებული და გაშლილი დროშებით. ქართ. წყაროების მიხედვით, დავით აღმაშენებელი თავისი ლაშქრით იერუსალიმისათვის ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. ერთ-ერთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართვ. მეფესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მონღოლთა გამოჩენის გამო (1220) ეს ლაშქრობა გადაიდო. ქართველები დაინტერესებული იყვნენ თავიანთი წმიდა სალოცავი ადგილების ბედით, ამ ადგილებზე საკუთარი უფლებების აღდგენით და ამიტომ შემდგომ წლებში აქტიურად მონაწილეობდნენ მონღოლთა ლაშქრობებში ეგვიპტის წინააღმდეგ. ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობის დროს მონღოლებმა ეგვიპტელებს წაართვეს და ქართველებს გადასცეს ქ-ები ხომსი, იერუსალიმი, დამასკი. ქართველებს ეს ქ-ები მალე დაუკარგავთ (1300). საქართველომ თავის მიზანს ბოლოს და ბოლოს დიპლ. გზით მიაღწია (XIV ს. დასაწყ.). ეგვ. სულთანს მალიქ ნასირ მუჰამადს მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი ქართველებისათვის დაუბრუნებია, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანთა რწმენით, ეს მბიმე ცოდვად ითვლებოდა. ამრიგად, ქართველებს უფლება ეძლეოდათ იერუსალიმში თავისუფალი მიმოსვლისა და კულტ.-მეცნ. საქმიანობისა, ქართ. დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო, მათ რომ „კლიტენი იერუსალიმისანი“ ანუ იესოს საფლავად მიჩნეული სალოცავიც დაიხსნეს. ქრისტეს საფლავის ეკლესიის ფლობის სპეციალურ უფლება, რისთვისაც იერუსალიმის სხვადასხვა ეროვნების ქრისტიანებს შორის მუდმივი დავა იყო, საკმაოდ დიდხანს ქართველების პრივილეგიას წარმოადგენდა და საბოლოოდ მათ ეს უფლება მხოლოდ XV ს. შუა წლებში ჩამოართვეს ფრანციასკელებმა. საქართველოს ძნელბედობის დროს 0. ს-თან ურთიერთობამ კერძო და შემთხვევითი ხასიათი მიიღო. შეწირულებებს გზავნიდნენ მეფეები, სამცხის, ოდიშის მთავრები და სხვ. ქართ. სავანეები გაღარიბდა, დაცარიელდა ან სხვა პატრონების ხელში გადავიდა.

წყარო: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა შ., ძველადა საკვირველი, თბ., 1972; ს ი ლ ა გ ა ძ ე ბ., მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1968, [ტ.] 2; Д ж а н а ш в и л и М. Г., Грузинские обители вне Грузии, Тфл., 1899.

იესე, ა ლ ი ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი (დაახლ. 1680/81—1727), ქართლის მეფე 1714—16, ლევან ბატონიშვილის ძე, ვახტანგ VI-ის ძმა. 1705—14 ირანში შაჰის სამსახურში იყო. ებრძოდა შაჰის წინააღმდეგ აჯანყებულ ავლაბლელებს ჯერ ბიძამისის—ქართლის მეფე *გიორგი XI-ის*, ხოლო შემდეგ ძმის — ქართლის მეფე *ქაიხოსროს* მეთაურობით. 1708 გიორგი XI-მ ქირმანის (ქალაქი და ისტ. ოლქი ირანის სამხრ.-აღმ. ნაწილში) ნაიბად დანიშნა, 1709 (გიორგი XI-ის დაღუპვის შემდეგ) შაჰმა ქირმანის ბეგლარბეგობა უბოძა. 0-ს მუსლ. სახელი ალიყული-ხანი ეწოდა. 1711 დაინიშნა თოფჩიბაშად (არტილერიის უფროსი). 1714, როცა ვახტანგმა (შემდეგში ვახტანგ VI) უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე, შაჰმა 0. ქართლის მეფედ დაამტკიცა. ქართლის ჯარით ეხმარებოდა კახეთის მეფე დავით II-ს (იმამყული-ხანს) ლეკების შემოსევათა მოგერიებაში. 1716, როცა ქართლის მეფობა ვახტანგმა მიიღო, 0. თელავს გაიხიზნა, მაგრამ შეიპყრეს და გადასცეს *ბაქარს*, რ-იც ქართლს განაგებდა. თბილ. სასახლეში პატიმრად ყოფნის დროს 0-მ უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობას დაუბრუნდა. 1721 ვახტანგ VI-მ 0. გაათავისუფლა, დაუბრუნა წართმეული ქონება, უბოძა მუხრანი და მსაჯულთუხუცესობა (მდივანბეგობა). 1723, როცა შაჰ-თამაზ II-მ ქართლის მეფობა კახეთის მეფე *კონსტანტინე II-ს* (მაჰმადყული-ხანს) მისცა და მან თბილისი დაიკავა, 0. ვახტანგ VI-ის დავალებით ბაქართან ერთად მიეგება თბილისის ასაღებად მოსულ ოსმალთა ჯარს. ოსმალები თბილისში შევიდნენ, კონსტანტინე დაუპატიმრეს და ქართლის გამგებლობა ბაქარს გადასცეს. ბაქარის ოსმალთაგან განდგომის შემდეგ, 1724, 0. შეურიგდა დამპყრობლებს, კვლავ გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. თუმცა ოსმალებმა ქართლის გამგებლობა 0-ს მისცეს, ფაქტობრივი მმართველი ოსმალთა ფაშა იყო. 0. მტერთან ერთად ებრძოდა ვახტანგ VI-სა და ბაქარს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჩ ხ ე ი ძ ე ს., ცხოვრება მეფეთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *ვ. გუჩუა.*

იესენი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე [11 (23). VII. 1896, პეტერბურგი, — 31. III. 1964, ლენინგრადი], საბჭ. არქეოლოგი, ბრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიისა და ძველი ისტორიის მკვლევარი. 0-ის გამოკვლევების ნაწილი ეხება ეთნოკულტურულ, ტომთა შორის კავშირებსა და პირველყოფილ ხელოვნებას. მისი ძირითადი შრომებია: „კავკასიაში სპილენძის უძველესი მეტალურგიის საკითხისათვის“ (1935), „ბერძნული კოლონიზაცია ჩრდილო შავიზღვისპირეთში“ (1945), „კავკასია და ძველი აღმოსავლეთი ძვ. წ. IV—III ათასწლეულში“ (1963) და სხვ.

იესენსკი (Jesenský) იანკო (30. XII. 1874, მარტინი, — 27. XII. 1945, ბრატისლავა), სლოვაკი მწერალი. ჩეხოსლ. სახ. მხატვარი (1945). მიიღო იურიდ. განათლება. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 90-იან წლებში. მისი პოეზია მოიცავს ინტიმურ (კრებ. „ლექსები“, 1905), პატრიოტულსა („ქარიშხლის შემდეგ“, 1932) და სამოქალაქო (კრებ. „ტყვეობიდან“, 1919)ლირიკას. 0-ს პროზაულ კრებულებში „პროვინციული მოთხრობები“ (1913) და სხვ. წარმოსახულია ბურჟ. მეშჩანური სამყაროს ინტერესები. 0-ს ეკუთვნის სატირული რომანი „დემოკრატები“ (ტ. 1—2, 1934—38), ლექსთა კრებ. „შავი ღლეები“, (1945) და სხვ. 0-ს შემოქმედება კრიტ. რეალიზმის მწვერვალია სლოვაკურ ლიტერაში.

იესე ქსნის ერისთავი, XVII ს. I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე, გიორგი სააკაძის თანამებრძოლი. შემდეგ თეიმურაზ I-ს მიემხრო როსტომ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლოს როსტომ მეფესთან შერიგება არჩია და ირანს გაემგზავრა, სადაც მის შიერ დაღუპული პაპუნა *ამილახვრის* შვილებმა მოკლეს.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *გ. აკოფაშვილი.*

იესე ქსნის ერისთავი (გ. 1745), XVIII ს. I ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე. 1736—41 თავის ძმასთან, შანშე ქსნის ერისთავთან ერთად მეთაურობდ ქსნის საერისთავოს აჯანყებას ყიზილბა დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყების დ მარცხების შემდეგ ირანში გაიწვიეს დ ნადირ-შაჰის ბრძანებით დააპატიმრეს 1745 საქართველოში მომავალი გზაზ გარდაიცვალა.

ლიტ.: გ ვ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეო დალური საქართველოს სოციალური ურთიერ თობის ისტორიიდან (ქართლის სათავადო ბი), თბ., 1955; საქართველოს ისტორიის ნა კვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. აკოფაშვილი.*

იესო, ი ს უ ძ ე ნ ა ვ ე ს ი (ებრ. ჲეჰოშუა ბინ-ნუნ; სახელი ჲეჰოშუა უკა შირდება ძვ. ებრ. ზმნურ ძირს, რ-ი „ხსნას“ ნიშნავს), ბიბლიური პერსონაჟ ძველი აღთქმის მიხედვით, მოსეს მსახ რი, რ-ის წინამძღოლობითაც ებრაელებ მა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ დაიპ რეს აღთქმული ქვეყანა ქანაანი (პალესტი ნა). ბიბლ. ტრადიციამ მის სახელს დაუ კავშირა ძვ. წ. XIII ს-ში სემიტი მომთაბა რე ტომების მიერ ქანაანის სახელმწიფოებ ის დაპყრობა. ძველი აღთქმის 0-ს სახ ლით ცნობილი წიგნი დაწერილია ბევრ უფრო გვიან და სტრუქტურულად არაერ გვაროვანია. 0-ს კულტმა იუდეველთ რელიგიაში მრავალჯერ განიცადა ტრან ფორმაცია და საბოლოოდ გავლენა მოახ დინა იესო ქრისტეს მითზე. *მ. შანიძ*

იესო ქრისტე, ქრისტიანობის მითურ ფუძემდებელი. ქრისტ. მოძღვრებით (ჩ მოყალიბდა ახ. წ. II ს. სახარებებში), 0 ძ. არის ადამიანთა მხსნელი, „ღმერთკაცი“ „ძე ღმერთი“, რ-იც უბიწოდ ჩასახვის შე დეგ შვა ღვთისმშობელმა მარიამმა პა ლესტინის ქ. ბეთლემში რომის იმპ. ავგუს ტუსის მმართველობის დროს. რელიგ გადმოცემით, 0. ძ-მ პალესტინაში ახ რელიგიის — ქრისტიანობის — ქადაგებისა მრავალი სასწაული მოახდინა. იგი ჯვარ აცვეს, მაგრამ სიკვდილიდან მესამე დღე მკვდრეთით აღდგა და შემდეგ ზეცად ამა ღლდა. მოელოდნენ მის მეორედ მოსვლ მიწაზე „ბოროტ ძალებზე“ საბოლოოდ გ სამარჯვებლად.

0. ძ-ზე მითის წყარო (უპირველესად მესიის შესახებ) ძველი აღთქმის წინას წარმეტყველებანი უნდა ყოფილიყო რ-ებმაც მორწმუნეთა ყურადღება ჯერ კიდევ ქრისტიანობის აღმოცენებამდე მიიქ ცია. ასეთი შინაარსის წინასწარმეტყველ ლებანი ოქსირინქოსის (ეგვიპტე) პაპირუ სებსა და კუმრანის ხელნაწერებშიც გვხვდ ბა. 0. ძ-ს ცხოვრების სახარებისეულ მითის, კერძოდ, მისი მოწამებრივი სიკვ დილისა და მკვდრეთით აღდგომის, მეორ წყარო უნდა ყოფილიყო წარმოდგენები რ-ებიც გავრცელებული იყო წინა აზიის და ჩრდ. აფრიკის ხალხებში მოკვდავი დ მკვდრეთით აღმდგარი ღმერთების (ადო ნისი, ოსირისი და სხვ.) შესახებ. ერთ-ერ წყაროდ შეიძლება მიჩნეულ იქნას ღმერ იესუს (იოშუას) წინაქრისტიანული კულ ტი, ზოგიერთი ელემენტი (მაგ., ქრისტე შობა) შეიძლება დაკავშირებული იყ *მითრასთან.*

იესპერსენი (Jespersen) იენს ოტო პა რი (16. VII. 1860, რანდერსი, — 30. IV 1943, კოპენჰაგენი), დანიელი ენათმეცნ ერი. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონე ტიკის სპეციალისტი. კოპენჰაგენის უნ ტის პროფესორი (1893-იდან). იკვლევდ ინგლ. ენას. 0-ის ძირითადი შრომები ეხ ღვნება ენის წარმოშობისა და განვითარ ების, აგრეთვე გრამატიკისა და ფონე ტიკის საკითხებს. ავტორია ერთ-ერთ ხელოვნური საერთაშ. ენისა, რ-საც „ნო ვიალი“ უწოდა.

იესპერსენი (Jespersen) კნუდ (12. IV 1926, დაბა სკულსტედე, ქ. ოლბორგის მახლობლად, — 2. XII. 1977), დანიელ მუშათა მოძრაობის მოღვაწე. დაიბად მუშის ოჯახში. გერმ. ფაშისტთა მიერ დან ოკუპაციის (1940—45) დროს მონაწილეო ობდა *წინააღმდეგობის მოძრაობაში.*

ელმძღვანელობდა შეიარაღებულ ჯგუფს 942-იდან დან. კომპარტიის (დკპ) წევრი. 1945 მარტში გესტაპომ დაატყვევა. დან. განთავისუფლების შემდეგ მონაწილეობდა დან. უდიდესი პროფკავშირის — აწყობებისა და ნავსადგურების მუშათა პროფკავშირის საქმიანობაში. 1953-იდან იყო ამ პროფკავშირის ერთ-ერთი განყ-ბის იავ-რე ოლბორგში. 1952-იდან დკპ ცკ-ის წევრი; 1958—77 დკპ თავ-რე.

ივაილოს აჯანყება 1277—80, გლეხთა აჯანყება ბულგარეთში მწყემს ივაილოს ხელმძღვანელობით. აჯანყების მიზეზი იყო ფეოდ. ჩაგვრის გაძლიერება და თათართა გამუდმებული თავდასხმები. აჯანყება დაიწყო სამხრ. დობრუჯაში. გლეხებმა გაანადგურეს თბილისი ურდოდან, შემდეგ — ბულგ. მეფის კონსტანტინე ასენის არმია. 1277 აჯანყებულებმა ივაილო მეფედ გამოაცხადეს. 1278 გაზაფხულზე ივაილო შევიდა ტირნოვოში და ოლად შეერთო კონსტანტინე ასენის ქვრივი მარია. ბულგ. ფეოდალებმა დახმარებისათვის მიმართეს ბიზანტიელებს და 1279 თებ. ტირნოვო აიღეს. ბიზანტიელთა არმიის განადგურებისა (1280 წ. 17 ივლ.) და სხვა გამარჯვებათა მიუხედავად, ივაილომ ვეღარ შეძლო დედაქალაქის დაკავება. თავი იჩინა აჯანყების სტიქიურმა ხასიათმა, აჯანყებულთა არმია იშლებოდა. ფალატის შიშით ივაილო გაიქცა თათართა ხანის ბანაკში, სადაც მოკლეს.

ივაკუნი, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, ჰიროსიმის ყურის დას. სანაპიროსთან, იაგუტის პრეფექტურაში. 112 ათ. მცხ. (1974). სარკინიგზო კვანძი. ნავთობქიმ. კომბინატი. ფერადი მეტალურგია, საფეიერო, მანქანათაშს., ქალალდის მრეწველობა.

ივანდიდი, სოფელი წულუკიძის რ-ნში, ზემერეთის დაბლობზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 105 *მ*, წულუკიძიდან 2 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა, ხეჩაიეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა), საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტკახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ივანე, ბულგარეთის მეფეთა და გამგეთა სახელი. **II.** ასენ II, ბულგარეთის მეფე 1218—41. მის დროს განმტკიცდა ბულგ. ეკონ. და პოლიტ. მდგომარეობა, დაიწყო მონეტის მოჭრა, დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება დუბროვნიკთან (1230), დამყარდა კავშირი უნგრეთთან. **II.** ასენ II-მ დაარღვია საეკლესიო უნია პაპობასთან და ნიკეის იმპ. იოანე დუკა ვატაცეს დახმარებით აღადგინა ბულგ. საპატრიარქო (1235). ამაოდ ცდილობდა კონსტანტინოპოლის აღებას (1235). **II.** ალექსანდრე (მეფობდა 1331—71) შიშმანოვიჩების დინასტიიდან. ძალაუფლება ხელეთ იგდო მსხვილ ფეოდალთა მხარდაჭერით. **II.** ალექსანდრემ დამყარა მშვიდობიანი ურთიერთობა ვლახეთთან და სერბიასთან, დაამარცხა ბიზანტიელები (1332 წ. 18 ივლ.) და დაიკავა მათი ტერიტ. ნაწილი. 1363 ბიზანტიის წინააღმდეგ კავშირი დადო ოსმალეთთან. **II.** სრაციმირი (გ. 1396 შემდეგ) ივანე ალექსანდრეს ძე. ვიდინის სამეფოს გამგებელი 1363—65 და 1370—96 (1365—70 უნგრ. მეფის ლაიოშ I-ის ტყვეობაში გაატარა). გაწყვიტა ურთიერთობა ტირნოვოს სამეფოსთან და ბულგ. პატრიარქთან, ვიდინის ეკლესია დაუქვემდებარა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ხელი შეუწყო ტრანსილვანიის ქალაქებთან ვაჭრობას. 1388-იდან — სულთნის ვასალი. **II.** შიშმანი (გ. 3. VI. 1395, ნიკოპოლისი), მართავდა ტირნოვოს სამეფოს 1371—93, როგორც ოსმ. სულთნის ვასალი. სერბების მიერ ოსმალების განადგურების (პლოჩნიკთან, 1386) შემდეგ ამაოდ ცდილობდა ოსმალეთზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევას.

ივანე I (ყვარყვარე) ჯაყელი-ციხიჯვარელი, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XII ს. 90-იან—XIII ს. 50-იან წლებში, შეჭურჭლეთუხუცესი, სამცხის სპასალარი. XII ს. 90-იან წლებში მეფის მომხრეთა ბანაკში იყო და ებრძოდა თამარის წინააღმდეგ შეთქმულ დიდგვაროვან აზნაურებს. მონაწილეობდა ჯალალედინის წინააღმდეგ ბრძოლებში, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მონღოლებს სამცხეში და, ვიდრე რუსუდან მეფის ნებართვა არ მიიღო, მტერთან მოლაპარაკება არ დაიწყო (სხვა „საქვეყნოდ გამრიგენი" მონღოლებს უომრად ნებდებოდნენ). ჩაღათა ნოინმა **O.** I სამცხის გამგებლად დატოვა.

დაახლ. 1242—43 **O.** I-მა ცხოველი მონაწილეობა მიიღო *რუსუდანისა* და დავითის ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლასა და დავით უფლისწულის მონღოლთა ურდოში მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნაში უმეფობის ხანაში დაამარცხა მცირე ანზიის თურქები, რ-თაც დაიპყრეს სამხრ. საქართვ. მიწა-წყალი. მას დახმარებისათვის მიმართეს სანაპირო თემების — ტაოს, შავშეთ-კლარჯეთის, კოლა-არტაანკარნიფორის გამგებლებმა. **O.** I-მა 10.000-იანი ლაშქარი შეკრიბა, ბრძოლა მოხდა ვანის ვაკეზე. ქართველებმა გაიმარჯვეს. ბრძოლის შემდეგ **O.** I სამცხეს დაბრუნდა, ხოლო დამარცხებულ მტერს თავისი შვილიშვილები ივანე (პაპა) და სარგისი დაადევნა. მათ დაიბრუნეს მტრის მიერ დაკავებული ტერიტ. და თურქები საქართვ. საზღვრებიდან გააძევეს. **O.** I-მა აქტ. მონაწილეობა მიიღო ტახტის მემკვიდრის — დავით გიორგის ძის — მოძებნასა და ჩამოყვანაში (შემდეგ იგი მეფედ დასამტკიცებლად ურდოში გაისტუმრეს). **O.** I *კოტასთავის შეთქმულების* ერთ-ერთი მეთაური და ინიციატორი იყო.

წყარო: ჯამთააღმწერელი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966.

შ. ლომსაძე.

ივანე II ჯაყელი, სამცხის გამგებელი, ათაბაგი 1391—1444 (ვახუშტის მიხედვით), *ბექა II-ის* ძე. თავდაპირველად საქართვ. მეფე გიორგი VII-თან ერთად იბრძოდა თემურლენგის წინააღმდეგ. დაახლ. 1400—1401 განუდგა გიორგი VII-ს და დამპყრობელს დამორჩილდა. ცდილობდა სამცხისათვის მოეპოვებინა საეკლ. დამოუკიდებლობა, მაგრამ წინ აღუდგა მცხეთის საპატრიარქო და მესხეთის საეპისკოპოსოთა დიდი ნაწილი. **O.** II-ის მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ ბოლო მოუღო *ალექსანდრე I* დიდის მტკიცე პოლიტიკამ. 1414 მეფესთან ბრძოლაში (ასპინძასთან, კოხტასთავს) დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ალექსანდრე I-მა ერთგულების ფიცი დაადებინა და ათაბაგობა დაუბრუნა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ისტორია XI—XV სს., თბ., 1949; მისივე, ქართველი ერის ისტორია, წგნ. 4, თბ., 1967.

შ. ლომსაძე.

ივანე დიაკონი, XI ს. ქართველი ოქრომჭედელი. ჩვენს დრომდე მოაღწია მისმა ნამუშევარმა — მარტვილის საწინამძღვრო ჯვარმა. მხატვრის ვინაობას გვამცნობს ჯვრის უკანა მხარეს გარე კონტურის შემოყოლებით მოთავსებული წარწერა. ჯვრის ზომაა 55×36 *სმ*. ფორმით ისეთივეა, როგორიც სხვა ქართ. საწინამძღვრო ჯვრები — ტარზე წამოცმული, უფრო გრძელი ქვემო მკლავითა და თანაბარი ზემო სამი მკლავით; მკლავების ბოლოები ფართოვდება და ყოველ კიდეში ფოთლოვანი ყუნწები აქვს გამობმული. წინა პირზე, შუაგულში, გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე, ანგელოზების ფიგურები წელზემოთ, ჯვრის განივ მკლავებზე — იოანე და მარიამი, ზემო მკლავზე — ყოვლისმპყრობელი ქრისტეს მთლიანი ფიგურა, ბასილი დიდისა და გრიგოლის ფიგურები წელზემოო, ქვემო მკლავზე — წვეროსანი წმინდანის მთლიანი ფიგურა. ჯვრის უკანა მხარე დაფარულია ვირტუოზულად შესრულებული მცენარეული ორნამენტით. **O.** Ფ. ქართ. ოქრომქანდაკებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნამუშევარი სკულპტურული ჭედურობის თვალსაჩინო ნიმუშია. *ვ. ბერიძე.*

ივანე I დანიელის ძე კალიტა (გ. 31. III. 1340), მოსკოვის მთავარი 1325-იდან, ვლადიმირის დიდი მთავარი 1328-იდან, მოსკოვის მთავრის დანიელ ალექსანდრეს ძის ვაჟი. სასტიკი, ჭკვიანი, ცბიერი პოლიტ. მოღვაწე. მოხერხებულად იყენებდა ოქროს ურდოს ხანებს თავისი ძალაუფლების გასაფართოებლად და განსამტკიცებლად. მონღოლთაგან დაკისრებულ ხარკს თვითონ კრებდა და დიდძალი სიმდიდრეც დააგროვა (ამიტომ ეწოდა „კალიტა" — „ფულის ქისა"). მის დროს მოსკოვი სრულიად რუს. მიტროპოლიტის რეზიდენცია გახდა. **O.**-მ ხელი შეუწყო მოსკ. სამთავროს ამაღლებას და საფუძველი ჩაუყარა ქ. მოსკოვის ძლიერებას.

ივანე III ვასილის ძე. გრავიურა XVI ს. ნახატიდან.

ლიტ.: Черепнин Л. В., Образование Русского централизованного государства в XIV—XV вв., М., 1960.

ივანე III ვასილის ძე (22. I. 1440 — 27. X. 1505, მოსკოვი), მოსკოვის დიდი მთავარი 1462-იდან, თვალსაჩინო რუსი სახელმწიფო მოღვაწე. მის დროს დასრულდა რუს. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა. **O.** III **Ვ.** ძ-ის დროს რუსმა ხალხმა საბოლოოდ მოიშორა მონღოლ-თათართა უღელი (1480). გაიზარდა მოსკ. საერთაშ. ავტორიტეტი.

ივანე IV ვასილის ძე მრისხანეს პორტრეტი 1672 წ. გამოცემის „ტიტულიარნიკიდან".

მოსკ. სახელმწიფოს გაძლიერება მზედველობიდან არ გამორჩენიათ ქართვ. პოლიტ. მოღვაწეებს. 1491 კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა ელჩობა გაგზავნა მოსკოვში, რითაც საფუძველი ჩაეყარა რუს.-საქართვ. ურთიერთობის ახალ, მნიშვნელოვან ეტაპს.

O. III **Ვ.** ძ. დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგება-განმტკიცებას. მისი მეორე ცოლი იყო ბიზანტ. იმპერატორთა გვარის ქალი ზოია (სოფია) პალეოლოგი.

ლიტ.: ციცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956; Черепнин Л. В., Образование Русского централизованного государства в XIV—XV вв., М., 1960.

ნ. ნაკაშიძე.

ივანე IV ვასილის ძე მრისხანე (25. VIII. 1530, სოფ. კოლომენსკოე, — 18. III. 1584, მოსკოვი), მოსკოვის დიდი მთავარი 1533-იდან, პირველი რუსი მეფე 1547-იდან. 7 წლისა დაობლდა. ახალგაზრდა მეფე სახელმწ. მოღვაწეობაში აქტიურად ჩაება 40-იანი წლების ბოლოს, როცა შეიქმნა ე. წ. „რჩეულთა რადა" (1549) და გატარდა გარკვეული რეფორმები (1549—60), რ-თა მიზანი იყო თვითმპყრობელობის გაძლიერება და სახელმწიფოს ცენტრალიზაციის განმტკიცება. **O.** IV **Ვ.** ძ-ის აქტ. აღმოსავლური პოლიტ. შედეგად მოსკ. სახელმწიფომ შეიერთა ყაზანის (1547—52), ასტრახანის (1556) სახანოები, დაიმორჩილა ციმბირის ხანი და ნოღაელთა ურდო. „რჩეულთა რადის" დამხობის შემდეგ (1560) იგი ერთპიროვნულად შეუდგა სახელმწიფოს მართვას. საშინაო პოლიტიკაში მან კურსი აიღო თვითმპყრობელური ხელისუფლების განმტკიცებისა და ოპოზიციის დათრგუნვისაკენ, საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად დაისახა ბალტიის ზღვაში გასასვლელის მოპოვება. ამ მიზანს ემსახურებოდა მის

ა. ა. ივანოვის პორტრეტი. ს. პოსტნიკოვის ნამუშევარი. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ა. გ. ივანოვი.

ა. პ. ივანოვი.

მიერ წამოწყებული *ლივონიის ომი* (1558—83).

ომის პირველსავე წლებში ი. IV ვ. ძ-მ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ფეოდ. დაქსაქსულობას და მსხვილ ფეოდალთა სეპარატისტულ მიდრეკილებას. 1565 შემოღებულ იქნა *ოპრიჩნინა*, დაიწყო ფეოდალთა მასობრივი ჟლეტა და შერისხვა.

ი. IV ვ. ძ. განათლებული, ენერგიული, შორსმჭვრეტელი და ჭკვიანი სახელმწ. მოღვაწე იყო. მისი მეფობის ხანაში კიდევ უფრო განვითარდა რუს. კულტურა (შეიქმნა ლიტ. ძეგლები, აშენდა ვასილი ნეტარის ტაძარი, დაიწყო წიგნის ბეჭდვა და სხვ.). ამავე დროს იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით, ეჭვიანობით, სიფიცხით და თავშეუკავებლობით (ერთ-ერთი ასეთი აგზნების დროს შემოაკვდა საკუთარი შვილი, ტახტის მემკვიდრე — ივანე). ი. IV ვ. ძ-ის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიასთან (განსაკუთრებით ყაბარდოსთან) და ირანთან ურთიერთობას. კახეთის მეფე ლევანის თხოვნით მან ციხე ჩადგა კავკასიაში, ხოლო მეფეს მსროლელთა რაზმი გაუგზავნა.

ლიტ.: Маркс К., Хронологические выписки, წგნ.: Архив Маркса и Энгельса, т. 8, М., 1946; Тихомиров М. Н., Россия в XVI столетии, М., 1962; ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956. *ნ. ნაკაშიძე.*

ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, XI ს. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სპასალარი, კლდეკარის ერისთავი. გადახვეწილი იყო ბიზანტიაში ბაგრატ IV-გან შერისხულ და ბერად აღკვეცილ მამასთან, ლიპარიტ IV-თან, ერთად. ამ უკანასკნელის თხოვნით, საქართვ. მეფემ 1059 შეიწყნარა ი. ლ. ძ., დაუბრუნა მამაპაპეული მამული და სპასალარად დანიშნა. ერთხანს იგი ერთგულად ემსახურებოდა ბაგრატ IV-ს, დიდი პოლიტ. უფლებები მოიპოვა და ეკონომიკურადაც გაძლიერდა. ალფ-არსლანის შემოსევების დროს (იხ. *ალფ-არსლანის ლაშქრობანი საქართველოში 1064, 1068*) ი. ლ. ძ. მეთაურობდა ალფ-არსლანთან მეფის სამოციქულო მისიას. 1069 დაამარცხა განძის ამირა ფადლონი. 1073 კი ისევ მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებშია. აუჯანყდა გიორგი II-ს, კახელები მოიშველია და ქსნის-პირა ადგილები დაიჭირა. გიორგი II იძულებული გახდა დაეთმო: ი. ლ. ძ-ს სამშვილდე უბოძა, მის შვილს ლიპარიტს კი — ლოწობანი. 1074 ი. ლ. ძ. ისევ განუდგა მეფეს, მაგრამ ამჯერად კახელები გიორგი II-ს მიემხრნენ და იგი იძულებული გახდა მეფეს დაზავებოდა. შემდეგ ი. ლ. ძ-მ ქ. ბაგი გამოსტაცა მეფის მეციხოვნეებს და საქართვ. მტერს განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. დაახლ. 1074 კი მორჩილებით ეახლა საქართველოს ასაოხრებლად მოსულ თურქ-სელჩუკების სულთან მელიქ-შაჰს. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და ი. ლ. ძ. გამოპარულა. 1080 მელიქ-შაჰი შეესია საქართველოს და ი. ლ. ძ. ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ იგი წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში, თბ., 1969; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი.

ივანე IV-ის სამართლის წიგნი 1550, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცების ხანის საკანონმდებლო ძეგლი. შეიცავს სახელმწ., სისხლის, სამოქალაქო და საპროცესო სამართ. ნორმებს. დაადასტურა *იურის დღე*, განავითარა *სამეძებრო პროცესის* საწყისები, გააძლიერა ქ-ების როლი სახელმწიფოში, პირველად დასახა შემდგომი კანონმდებლობის გზები, განსაზღვრა მეფის და ბოიართა სათათბიროს ურთიერთდამოკიდებულება. სამოქალაქო სამართ. ნორმებში აისახა ბოიარებსა და აზნაურებს შორის კომპრომისის პოლიტიკა. *გ. ნადარეიშვილი.*

ივანე III-ის სამართლის წიგნი 1457, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირველი კოდექსი. მისი წყაროებია: *„რუსკაია პრავდა", ფსკოვის სამართლის სიგელი*, საწესდებო სიგელები, ჩვეულებითი სჯული და დიდი მთავრის ბრძანებულებები. ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის სამართ. და სისხლის სამართ. საპროცესო ნორმებს. შეიცავს აგრეთვე ნორმებს ცენტრ. და ადგილ. სასამართლოს შესახებ; სამართ. წიგნის მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყო რუს. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისათვის, მთელ ქვეყანაში დაენერგა ერთიანი სამართალწარმოება. სამართლის წიგნი ცნობილია იმითაც, რომ მან გლეხებს ერთი მემამულისაგან მეორესთან გადასვლის უფლება მიანიჭა წლის ერთადერთ დღეს— 26 ნოემბერს. *გ. ნადარეიშვილი.*

ივანე მონისძე, XI ს. ქართველი ოქრომჭედელი. შემორჩენილია მის მიერ ხელმოწერილი და ზუსტად დათარიღებული (1040) ორი მცირე ზომის ფირფიტა წმ. ბასილისა და წმ. ნიკოლოზის გამოსახულებებით. ეს ფირფიტები, სხვებთან ერთად, დაკრული იყო შემოქმედის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის არშიაზე (ამჟამად საქართვ. ხელოვნ. მუზეუმშია). ფირფიტები ერთნაირი მოყვანილობისაა— ვიწრო, მაღალი, ზემოთ ნახევარწრიული მოხაზულობისა; თითოეულზე თითო გამოსახულებაა. წმ. ნიკოლოზისა და წმ. ბასილის გამოსახულებები შესრულებულია გლუვ ფონზე, ფრონტალურად, მთელი ტანით. მეტყველი სახეები ინდივიდუალიზებულია, სხეულთა პროპორციები— სწორი. მოქანდაკე შეგნებულად ქმნის მოცულობას. აქ საქმე გვაქვს ქართ. ოქრომჭანდაკებლობის იმ საფეხურთან, როცა ოსტატები სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანებს ისახავენ. *ვ. ბერიძე.*

ივანე მონისძე. ჭედური ფირფიტები წმ. ნიკოლოზისა (მარცხნივ) და წმ. ბასილის (მარჯვნივ) გამოსახულებით. 1040. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ივანე მორჩაისძე, XI ს. ქართველი ხუროთმოძღვარი. 1032 საფუძვლიანად გადაუკეთებია *იშხნის* ძვ. ტაძარი, რასაც გვამცნობს სამხრ. სარკმლის ირგვლივ მინაწერი. იშხნის ტაძარი, რ-იც VII ს-ში აშენდა, შემდეგში არაერთგზის შეუკეთებიათ და განუახლებიათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ტაძარმა საბოლოო, მხატვრულად დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე ი. მ-ის ხელში მიიღო. ფასადების დამუშავების საერთო სისტემით იშხნის ტაძარი XI ს. დამახასიათებელი ძეგლია. ჩუქურთმათა სიუხვე, მრავალფეროვნება, მათი შესრულების მაღალი დონე და დახვეწილობა ი. მ-ს შუა საუკუნეთა ბრწყინვალე ქართვ. ოსტატების გვერდიც აყენებს.

ივანენკო დიმიტრი დიმიტრის ძე [დ. 16 (29). VII. 1904, პოლტავა], საბჭ. ფიზიკოსი, ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1938). დაამთავრა ლენინგ. უნ-ტი (1927). მოსკ. უნ-ტის პროფესორი (1943-იდან). ვ. ჰაიზენბერგთან ერთდროულად და მისგან დამოუკიდებლად წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ატომის ბირთვი აგებულია პროტონებისა და ნეიტრონებისაგან (1932). სსრკ სახელმწიფო პრემია (1950).

ივანეული, სოფელი ტყიბულის საქალაქო ხაბჭოს ტერიტორიაზე (ხრესილი სოფსაბჭო), მდ-ების ძირიგნისწყლისა და ჯუხის წყალგამყოფზე (წყალწყითელი აუზი). ზ. დ. 440 *მ*, ტყიბულიდან 14 *კმ*, ხრესილიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 4 *კმ*. ხრესილის კოლ-ბა (მეჩაიეობა), საშ. სკოლა სოფ ხრესილში.

ივანე (იოვანე) შავლიანი, აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე დაახლ. 868-იდან, *შავლიანთა* დინასტიის პირველი წარმომადგენელი. ტახტი ხელთ იგდო *გიორგი I* აღწეფელის ქვრივის შუშეიბითა. მდგომარეობის განსამტკიცებლად თავის ძეს და მემკვიდრეს ადარნასეს ცოლად შერთო *გვარამ (გუარამ) მამფლის* ასული. ი. შ. და ადარნასე, წინა დინასტიის მეფეთა მსგავსად განაგრძობდნენ ბრძოლას საქართველოში ჰეგემონობის მოპოვებისათვის.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI—XVIII вв.), Сух., 1959. *ვ. გუჩუა.*

ივანიცკი თენგიზ ვახტანგის ძე (დ. 24. VII. 1924, თბილისი), ქართველი საბჭოთა გეოქიმიკოსი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1967). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1945 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქართვ. პოლიტექნ. ინ-ტი. 1947-იდან მუშაობს საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (1955-იდან ხელმძღვანელობს გეოქიმიის განყ-ბას). 1955—75 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში. ი-ს შრომები ძირითადად ეხება მადნეულ საბადოთა მინერალოგია-გეოქიმიისა და მაგმური ქანების გეოქიმიის საკითხებს. ი-მ (ვ. ქოიავასთან ერთად) გამოსცა პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე გეოქიმიაში (ზოგადი გეოქიმიის მოკლე კურსი, თბ., 1972).

თხზ.: Геология, минералогия и геохимия свинцово-цинковых и полиметаллических месторождений Грузии, Тб., 1963.

ივანიცკი-ინგილო რაფიელ ალექსანდრეს ძე (23. VII. 1886, სოფ. კახი, ახლანდ. აზერბ. სსრ, — 1966, მადრიდი; დაკრძალულია პარიზში), ქართველი ეროვნისტი, მთარგმნელი, საზ. მოღვაწე. თელავის სას. სასწავლებლისა და პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იურისტად. 1921-იდან ცხოვრობდა გერმანიასა და ავსტრიაში. 1924—48 — იტალიაში, რომში. იტალიენაზე გამოქვეყნებულ ნარკვევებსა და სტატიებში ი.-ი. იტალ. საზ-ბას უღვიძებდა ინტერესს ქართ. კულტურისა და ისტორიისადმი, თარგმნიდა ქართ. ლიტერის ნიმუშებს. 1942 იტალ. ენაზე პირველად გამოსცა ვეფხისტყაოსნის არასრული თარგმანი. 1948 პარიზში მღვდლად ეკურთხა. იყო ესპ. მართლმადიდებელი ეკლესიის რექტორი მადრიდში.

ლიტ.: ჩაჩანიძე ვ., „ვეფხისტყაოსნის" იტალიური გამოცემები, «საბჭოთა ხელოვნება», 1965, № 11.

ივან-კუპალა, ძვ. ხალხური რელიგიური მაგიური სამიწათმოქმედო დღეობა (იგივე ივანობა; ძვ. სტილით 24 ივნ.)

ივანოგინსთვე. იხ. *ივინისი.*

ივანოვი ალექსანდრე ანდრიას ძე [16 (28). VII. 1806, პეტერბურგი, — 3 (15). VII. 1858, იქვე], რუსი ფერმწერი. 1817—26 იყო პეტერბ. სამხატვრო აკადემიის თავისუფალი მსმენელი (სწავლობდა მამამისთან ა. ი. *ივანოვთან* და ა. ეგოროვის კლასში). 1830-იდან იყო იტალიაში მხატვრების წამახალისებელი საზ-ბის პენსიონერი. 1831—58 ცხოვრობდა რომში. თავდაპირველად განიცადა კლასიციზმის გავლენა. ამ პერიოდის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია გაწონასწორებული კომპოზიციები, ფიგურათა ზუსტი გეგმის მიხედვით განაწილება, მშვიდი კონტურული ნახატი და ლაკონიური ფერები („პრიამე ჰექტორის ცხედარს გამოსთხოვს აქილევსს", 1824, ტრეტიაკოვის გალერეა და სხვ.). O-ის მნიშვნელოვანი ნამუშავარია „ქრისტეს გამოცხადება ხალხთან" (1837—57, ტრეტიაკოვის გალერეა). ამ სურათის მრავალფეროვანი კომპოზიცია აერთიანებს სხვადასხვა წოდებისა და ხასიათის ადამიანებს, რ-ებიც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ მოვლენას. ნაწარმოების სიმეტრიული კომპოზიცია გაწონასწორებულია, ფიგურების განლაგება ბარელიეფისებრი. დამთავრებულ და დამოუკიდებელ ნაწარმოებებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ამ მონუმ. სურათისათვის შესრულებული ეტიუდები (300-ზე მეტი, ტრეტიაკოვის გალერეა, რუს. მუზეუმი და სხვ. კოლექციები). სურათის პეიზაჟურ ეტიუდებში მხატვარი ცდილობს შეიცნოს და გადმოსცეს ბუნების მრავალფეროვნება, მისი განვითარების კანონები და ძირითადი ელემენტები. O-მა იმდროინდელი პლენერული ფერწერის მიღწევების გამოყენებით შეძლო შემოქმედებითად აეთვისებინა და ახლებურად გადმოეცა სივრცე, ამასთან შეენარჩუნებინა ფერების ინტენსივობა და საგნების მოცულობა შეეხამებინა სივრცესთან.

სიცოცხლის ბოლო წლებში მხატვარი გატაცებით მუშაობდა „ბიბლიური ესკიზების" ციკლზე (აკადემია, ტრეტიაკოვის გალერეა და რუს. მუზეუმი), რ-შიც ისტ. თემა ორგანულადაა შერწყმული ყოფითთან, ლეგენდარულ-ფანტასტიკური — ჩვეულებრივთან. O-მა უარი თქვა კომპოზიციის ტრად. პირობითობაზე, გამოიყენა ფერადოვანი ლაქები, რ-ებიც ფურცლის სიბრტყეზე კონტურით იყო შეწყობაზული, მიაღწია ხაზის რიტმის დიდ გამომსახველობას. „ბიბლიური ესკიზები" ინარჩუნებს კავშირს ტრად. კლასიცისტურ მონუმენტურობასთან და გზას უხსნის რეალიზმის მეთოდებს რუსულ სახვით ხელოვნებაში. O-ის შემოქმედებას იმდროინდელი ოფიც. წრეები მტრულად შეხვდნენ, სამაგიეროდ, მხატვარს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. გოგოლი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ი. კრამსკოი, ი. რეპინი და სხვ.

ლიტ.: Александр Андреевич Иванов. Его жизнь и переписка. 1806—1858 гг., СПб., 1880; Ракова М. М., А. Иванов (1806—1858), М., 1960.

ილუსტრაცია—იხ. წანართი, გვ. 128.

ივანოვი ალექსანდრე გაბრიელის ძე [დ. 31. VII (12. VIII). 1898, სოფ. დავიდოვო, ახლანდ. ბოროვიჩის რ-ნი, ნოვგოროდის ოლქი], საბჭ. კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. სსრკ სახ. არტისტი (1964). სკკპ წევრი 1918-იდან. 1918—20 სამოქალაქო ომის მონაწილე. 1924 დაამთავრა ლენინგრ. კინოსკოლა. 1925-იდან მუშაობს „ლენინგრადკინოში" (ამჟამად კინოსტუდია „ლენფილმი"). O-ის ფილმებიდან აღსანიშნავია „მთვარე მარცხნივაა" (1929, ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის პიესის ეკრანიზაცია), „ცეცხლის ტრანსპორტი" (1930), „არის, კაპიტანო!" (1930), „საზღვარზე" (1938), „წყალქვეშა ნავი ტ-9" (1943), „ვარსკვლავი" (1953 ე. კაზაკევიჩის მიხედვით), „ჯარისკაცები" (1957 ვ. ნეკრასოვის მოთხრობის მიხედვით) და სხვ. 1960—61 დადგა კინოტრილოგია „გატეხილი ყმირი" (მ. შოლოხოვის მიხედვით). მისი ფილმებისათვის დამახასიათებელია ლაკონიზმი, ფსიქოლ. სიმართლე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

კადრი ფილმიდან „ჯარისკაცები". 1957. რეჟისორი ა. გ. ივანოვი.

ივანოვი ალექსი პეტრეს ძე [დ. 9 (22). IX. 1904, სოფ. ჩიჟოვო, ახლანდ. კალინინის ოლქი], რუსი საბჭ. მომღერალი (ბარიტონი). სსრკ სახ. არტისტი (1951): 1932 დაამთავრა ლენინგრ. კონსერვატორია. 1932—36 იყო ლენინგრ. მცირე საოპერო თეატრის, 1938—67 კი — სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. პარტიები: პომაზოვი (მურადელის „დიადი მეგობრობა"), თავადი იგორი (ბოროდინის „თავადი იგორი"), მაზეპა (ჩაიკოვსკის „მაზეპა") და სხვ. ავტორია წიგნებისა: „სიმღერის ხელოვნების შესახებ" (1963) და „ვოკალური სახის შესახებ" (1968). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946, 1948, 1950). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ივანოვი ანდრია ივანეს ძე [დაახლ. 1776 — 12 (24). VII. 1848, პეტერბურგი], რუსი ფერმწერი, კლასიციზმის წარმომადგენელი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1782—97). 1798-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1803-იდან — აკადემიკოსი, 1812-იდან — პროფესორი). აკად. სისტემით აგებულ ისტ. კომპოზიციებში O. ისწრაფოდა გამოეხატა მოქალაქეობრივი და პატრ. იდეები. O. იყო თავადსაჩინო პედაგოგი და აკად. ნახატის ოსტატი.

ივანოვი გიორგი ივანოვ (დ. 2. VI. 1940, ქ. ლოვეჩი, ბულგარეთი), ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მკვლევარი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი (13. IV. 1979). 1964 დაამთავრა გ. ბენკოვსკის სახ. უმაღლესი სახალხო სამხ.-საჰაერო სასწავლებელი. 1968-იდან ბულგარეთის კომპარტიის წევრი. 1978-იდან ი. გაგარინის სახ. კოსმონავტთა მომზადების ცენტრშია. 1979 წ. 10—12 აპრ. იფრინა კოსმოსში ნ. *რუკავიშნიკოვთან* ერთად „სოიუზ-33" კოსმ. ხომალდით. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ივანოვი ვიაჩესლავ ივანეს ძე [16 (28). II. 1866, მოსკოვი, — 16. VII. 1949, რომი], რუსი პოეტი, დრამატურგი, ფილოლოგი. პოეტურ ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1898-იდან. ავტორია ლექსთა კრებულებისა „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავები" (1903), „გამჭვირვალობა" (1904), ტრაგედიებისა „ტანტალოსი" (1905) და სხვ.; ნაშრომისა „ელინური რელიგია ტანჯული ღვთაებისა" (1904). ანტ. თემებზე დაწერილი მისი ლექსები, ტრაგედიები და სამეცნ. თხზულებანი გამსჭვალულია რელიგ.-მისტ. სულით და უკიდურესად სუბიექტური იდეებით. 1905 შემდეგ რუსი სიმბოლისტების მეორე თაობის თეორეტიკოსი გახდა. 1924-იდან იტალიაში ცხოვრობდა. თარგმნა პეტრარკა, დანტე და სხვ. გამოაქვეყნა „რომაული სონეტები" (1925), „ადამიანი" (1939).

ივანოვი ვსევოლოდ ვიაჩესლავის ძე [12 (24). II. 1895, დაბა ლებიაჟიე, ახლანდ. პავლოდარის ოლქი, — 15. VIII. 1963, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი, იყო ლიტ. ჯგუფის „*სერაპიონის ძმების*" წევრი. მისი სამწერლო მოღვაწეობის წარმართვაში დიდი როლი შეასრულა მ. გორკიმ. O-ის შემოქმედებაში აღსანიშნავია სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა ციკლი „გორაკები. პარტიზანული მოთხრობები" (1923). ამ ციკლის მოთხრობა „ჯავშნოსანი 14-69" (1922) გადაკეთდა პიესად (1927), რ-ის საფუძველზეც ს. შანშიაშვილმა შექმნა ცნობილი პიესა „ანზორი".

O-ს ეკუთვნის ავტობიოგრ. რომანი „ფაკირის თავგადასავალი" (1934—35, გავრცობილი და გადაკეთებული „ჩვენ მივდივართ ინდოეთში", 1960), პიესა „ლომონოსოვი" (1953), მოგონებები „შეხვედრები მაქსიმ გორკისთან" (1947) და სხვ. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა რომანი „ეულკანი" (1966—68). დაჯილდოებულია 2 ორდენით და მედლებით.

ბ. გიგოლოვი.

ბ. ივანოვი.

ივანოვი იანის ანდრიას ძე (დ. 26. IX (9. X). 1906, პრეილი), საბჭ. კომპოზიტორი. სსრკ. სახ. არტისტი (1965). 1931 დაამთავრა ლატვ. კონსერვ. 1944-იდან ლატვ. კონსერვ. პედაგოგი (1955-იდან — პროფესორი). ნაწარმოებები: სუიტა „ლატგალის ტბები" (1935), სიმფ. სურათი „ცისარტყელა" (1938), „ატლანტიდა" (1941), „ლატგალის სიმფონია" (1949, სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), 14 სიმფონია (1933—71), კონცერტები, კვარტეტები, საფორტეპიანო პიესები და სხვ. სსრკ III—IV მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლატვ. სსრ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1959, 1970). დაჯილდოებულია 2 ორდენით.

ი. ივანოვი.

ივანოვი კონსტანტინე ვასილის ძე [15 (27). V. 1890, სოფ. სლაკბ.-ში. ახლანდ. ბელებეის რ-ნი, ბაშკ. ასსრ, — 13 (26). III. 1915, იქვე], ჩუვაში პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1905—07; წერდა რევ. სიმღერებს, თარგმნიდა რუს კლასიკოსთა ლექსებს. ავტორია ბალადებისა „რკინის საწეწელა" და „ქვრივი", მოთხრობისა „მშივრები", ტრაგედიისა „ეშმაკის მონა", პუბლიც. ლექსებისა, ლირ.-ეპიკური პოემისა „ნარსპი" (კრებულში „ჩუვაშების ზღაპრები და ლეგენდები", 1908), რ-ის სიუჟეტზე შექმნილია ოპერა.

ივანოვი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე [დ. 8 (21). V. 1907, ქ. ეფრემოვი, ახლანდ. ტულის ოლქი], საბჭ. დირიჟორი. სსრკ სახ. არტისტი (1958). 1937 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია. 1938—39 მუშაობდა კ. სტანისლავსკის სახ. საოპერო თეატრში. 1941—46 იყო საკავშ. რადიოს დიდი სიმფ. ორკესტრის დირიჟორი, 1946—65 — სსრკ სახელმწ. სიმფ. ორკესტრის

ა. ი. ივანოვი. „ახალგაზრდა კიეველის გმირობა". დაახლ. 1810. რუსული მუზეუმი. ლენინგრადი.

ჟ. ჟ. ივანოვი.

ლ. ივანოვი.

ს. ივანოვი.

დ. ივანოვსკი.

ივანო-ფრანკოვსკი. ცენტრალური მოედანი.

მთავარი დირიჟორი. დირიჟორთა მოსკ. საკავშ. კონკურსის ლაურეატი (1938, III პრემია). ი-ის შესრულებას ახასიათებს ჩანაფიქრის სიღრმე, ემოციურობა და ტემპერამენტი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

ივანოვი ლევ ივანეს ძე [18. II (2. III). 1834, მოსკოვი, — 11 (24). XII. 1901, პეტერბურგი], რუსი ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი, 1852 დაამთავრა პეტერბ. თეატრ. სასწავლებელი და ჩაირიცხა პეტერბ. საბალეტო დასში (1869-იდან წამყვანი მოცეკვავე). ი-მა პირველმა შეასრულა გიგეესის (პუნის „მეფე კანდავლი“), ბაზილისა და სოლორის (მინკუსის „დონ კიხოტი“ და „ბაიადერა“) პარტიები. 1885-იდან იყო მარიამის თეატრის ბალეტმაისტერი, მ. *პეტიპას* თანაშემწე. 1887 დადგა ბალეტები — დრიგოს „მოჯადოებული ტყე“ და შელის „ჰარლეკინის ტიტა“. ი-ის დადგმებში პოეტური შინაარსი ოსტატურადაა შერწყმული სრულყოფილ ქორეოგრაფიულ ფორმასთან. მისი მოღვაწეობა რუს. ბალეტის აკად. სტილის მწვერვალადაა მიჩნეული.

ივანოვი ლევ ნიკოლოზის ძე [15 (28). VII. 1903, გოროდიშჩე, ახლანდ. პენზის ოლქი, — 6. IX. 1957, მოსკოვი], საბჭ. ისტორიკოსი და ეკონომისტი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). სკკპ წევრი 1944-იდან. 1923 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის საზ. მეცნ. ფაკ-ტი. 1948-იდან სსრკ მეცნ. აკად. ეკონ. ინ-ტის სექტორის გამგე, ხოლო 1956-იდან — მსოფლიო ეკონ. და საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტისა. მის შრომებში განხილულია საერთაშ. ურთიერთობათა ეკონ. და ისტ., აგრეთვე სამხ.-საზღვაო პრობლემების საკითხები. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

ივანოვი სერგეი ვასილის ძე [4 (16). VI. 1864, რუზა, ახლანდ. მოსკ. ოლქი,— 3 (16). VIII. 1919, სოფ. სვისტუხა, ახლანდ. დმიტროვის რ-ნი, მოსკ. ოლქი], რუსი ფერმწერი და პედაგოგი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1878—82 და 1884—85) და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1882—84). თავდაპირველად ქმნიდა ჟანრულ სურათებს, ნახატებსა და ლითოგრაფიას („გზაში. გადმოსახლებულის სიკვდილი“, 1889, ტრეტიაკოვის გალერეა). ი. მონაწილეობდა 1905 რევოლუციაში და რუს მხატვართაგან ერთ-ერთმა პირველმა მიმართა რევ. თემას („ჯანყი სოფელში“, 1889; „დახვრეტა“, 1905, — ორივე სსრკ რეკ. მუზეუმი, მოსკოვი). 1895-იდან მუშაობდა ისტ. ფერწერაში („უცხოელების ჩამოსვლა XVII ს. მოსკოვში“, 1901, ტრეტიაკოვის გალერეა).

ივანოვკა (ყოფ. ხუნძურეთი), სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (ირაგის სოფსაბჭო), ბედენის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ტორნისწყლის (ხრამის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1500 *მ*, თეთრი წყაროდან 15 *კმ*. ირაგის მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. ტუფის ქვის კარიერი, რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი). სოფელში აღმართულია შინმოუსვლელთა ობელისკი.

ივანოვო (1932-მდე ივანოვო-ვოზნესენსკი), ქალაქი, რსფსრ ივანოვოს ოლქის ცენტრი. გაშენებულია მდ. უვოდის (კლიაზმის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი. 465 ათ. მცხ. (1979; 1897 წ. — 54 ათ., 1926 წ. — 111 ათ., 1939 წ.— 285 ათ., 1959 წ. — 335 ათ., 1970 წ. — 420 ათ.).

ქალაქი წარმოიშვა 1871 სოფ. ივანოვოდან (პირველად იხსენიება 1561) და ვოზნესენსკის რაბათიდან. 1741 გაიხსნა პირველი მანუფაქტურა. 1892 შეიქმნა პირველი მარქსისტული ჯგუფი, 1905 — რწმუნებულთა საბჭო — რუსეთში პირველი მუშათა დეპუტატების საბჭო. ივანოვო-ვოზნესენსკმა თვალსაჩინო როლი ითამაშა რუს. რევ. მოძრაობაში (1897—98, 1905, 1915 გაფიცვები). საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 25 ოქტ. (7 ნოემბ.). ქალაქი დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1970).



ივანოვოს ოლქი. სელის გალეწვა. კოლმეურნეობა „განთიადი“. პალეხის რაიონი.

თანამედროვე ი. დიდი ინდუსტრ. ცენტრია. ტრად. საფეიქრო დარგებთან ერთად განვითარდა მანქანათმშ., ქიმ. და ნავთობქიმ., ენერგეტ., ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობა. წამყვანია საფეიქრო მრეწველობა. არის საფეიქრო და ტორფის მანქანათსაშ., ავტომაწეების, გამოსაცდელ ხელსაწყოთა და სხვა ქ-ნები, ხელოვნური ლანჩის კომბინატი. კვების მრეწვ. საწარმოები. 2 თეატრი. ი-ს მახლობლად, ქ. კომსომოლსკში, არის ივანოვოს სრესი (მუშაობს ტორფზე).

წარსულში ფ-კებითა და 1—2-სართულიანი სახლებით განაშენიანებული, კეთილმოუწყობელი ქალაქი საბჭ. ხელისუფლების წლებში შენდება გენ. გეგმის მიხედვით. გარეუბნებში გაშენდა კეთილმოწყობილი მუშათა დასახლებები მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლებით. ქალაქის ცენტრში მნიშვნელოვანი საზ. შენობებია: ბანკი (1927, არქიტ. ვ. ვესნინი), ქიმ.-ტექნოლ. ინ-ტი (1929, არქიტ. ი. ფომინი), დიდი დრამ. თეატრი (1940, არქიტ. ა. ვლასოვი, ნ. კადნიკოვი; რეკონსტრუირებულია), მუს. კომედიის თეატრი (1964, არქიტ. გ. სმოლიხინი, ინჟინრები ი. პეტროვი, მ. გუსევი). ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1956, მოქანდაკე პ. ფრიდმანი, არქიტ. ა. როსტკოვსკი) და სხვ.

ი-ში არის ენერგეტ., ქიმ.-ტექნოლ., საფეიქრო, სამედ., სას.-სამ., პედ. ინ-ტები, 13 საშ. სპეც. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობისა და სამხატვრო მუზეუმები, 3 თეატრი, ფილარმონია.

ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვა 1905 მუშათა მასობრივი გაფიცვა ივანოვო-ვოზნესენსკში (ახლანდ. ქ. ივანოვო), გაგრძელდა 12 მაისიდან 23 ივლისამდე. ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რ-საც სათავეში ედგნენ მ. ფრუნზე, თ. აფანასიევი, ს. ბალაშოვი. გაფიცვას ჯერ ეკონ. ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი პოლიტ. იერი მიეცა. მონაწილეობდა 70 ათ. კაცი. გაფიცულები მოითხოვდნენ 8-საათიან სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას, ჯარიმების გაუქმებას, სიტყვის, კავშირების, ბეჭდვის, გაფიცვის თავისუფლებას, დამფუძნებელი კრების მოწვევას და სხვ. მუშებმა აირჩიეს რწმუნებულ დეპუტატთა კრება 151 კაცის შემადგენლობით. ფაქტობრივად ეს იყო პირველი მუშათა დეპუტატების საბჭო რუსეთში. არჩეულთა შორის 57 ბოლშევიკი იყო. საბჭო. რევ. ორგანოს მსგავსად მოქმედებდა. მეფის მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. 3 ივნისს ჯარმა სროლა აუტეხა მიტინგზე შეკრებილ მუშებს, რ-თაგან ბევრი ტყვიის მსხვერპლი გახდა. გაფიცვა მაინც გრძელდებოდა და მხოლოდ შიმშილმა აიძულა მუშები შეეწყვიტათ იგი.

ლიტ.: Экземплярский П. М., История города Иванова, ч. 1, Иваново, 1958.

ივანოვოს ოლქი, შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1929 წ. 14 იანვ. ფართ. 23,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 1321 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 80%. ცენტრი — ქ. ივანოვო. ი. ო. მდებარეობს აღმ. ევროპის ვაკის ცენტრ. ნაწილში, ხმელეთის ზედაპირი ტალღოვანია და დანაწევრებულია ხევ-ხეობებით. ოლქის ჩრდ.-აღმ-ით მიედინება მდ. ვოლგა, სამხრ-ით — მდ. კლიაზმა და მისი მარცხ. შენაკადები. ოლქის ტერიტორიაზეა გორკის წყალსაცავი. ი. ო. ტყის ზონაშია (შერეული ტყე); ტყითაა დაფარული


ივანოვოს ოლქი
58°
44°
40°
42°
40 კმ
ივანოვო
ბუჟანოვა
ტეიკოვო
ლეჟნევო
ვიჩუგა
ზავოლჟიე
ნანეოპისცოვო
ბოგორ
ბალახნა
ბალეხი
ბორზენი
ბარანიხა
ბაბანოვო
ბაბეკინო
ბოლშოეი
ბოლშოეი
ბოლშოეი

ტერიტ 40%-ზე მეტი. ი. ო. სსრკ საფეიქრო მრეწვ. ერთ-ერთი დიდი რ-ნია. აქ ამზადებენ ბამბის, სელისა და ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილებს. მთავარი ცენტრებია — ივანოვო, ფურმანოვი, კინეშმა, ტეიკოვო, როდნიკი, ვიჩუგა. არის თეცები, საფეიქრო და ტორფის მანქანათაშ. ქ-ნები, ავტოამწეების, შიგსაჩარხი ჩარხების, საცდელი ხელსაწყოების, ქიმ. (უმთავრესად საღებავების), ხის დასამუშ. და კვების მრეწვ. საწარმოები, სამხატვრო სარეწები (პალეხი, ხოლუი). ოლქის ტერიტორიაზე უმთავრესად მოჰყავთ სელი, კარტოფილი. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ღორს, ცხენს. სანაოსნოა მდ-ები ვოლგა და კლიაზმა. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

ივანოვსკი დიმიტრი იოსების ძე [28. X (9. XI). 1864, სოფ. ნიზი, ახლანდ. ლენინგრ. ოლქი, — 20. IV. 1920, დონის როსტოვი], რუსი ფიზიოლოგი (მცენარეთა) და მიკრობიოლოგი, *ვირუსოლოგიის* ფუძემდებელი. 1888 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. პეტერბ. უნ-ტის პრივატ-დოცენტი (1895—1901), ვარშავისა (1901—15) და დონის (1915-იდან) უნ-ტების პროფესორი. შეისწავლა თამბაქოს დაავადებები, დაადგინა (1892), რომ თამბაქოს მოზაიკის გამომწვევი მიკროსკოპში უხილავია და გადის ბაქტერიულ ფილტრში. დაავადებულ მცენარეთა უჯრედებში აღმოაჩინა კრისტ. ჩანართები („ივანოვსკის გრისტალები"), რ-ებსაც იგი უმცირეს ცოცხალ ორგანიზმებად მიიჩნევდა (შემდგომში *ვირუსები* ეწოდათ) და სხვ.

ივანო-ფრანკოვსკი (1962-მდე სტანისლავი), ქალაქი, უკრ. სსრ ივანო-ფრანკოვსკის ოლქის ცენტრი. მდებარეობს კარპატების მთისწინეთში. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. 150 ათ. მცხ. (1979; 1939 წ. — 65 ათ., 1959 წ.— 66 ათ., 1970 წ. — 105 ათ.).

მრეწვ. მთავარი დარგებია მსუბუქი, კვების, ხის დასამუშ., ლითონდასამუშ. მრეწველობა. არის სალტეების სარემონტო, ქიმ., რკინაბეტონის ნაკეთობათა, აგურის, მინისა და სარკის ქ-ნები. ი.-ფ-ში არის ნავთობისა და აირის, სამედ., პედინ-ტები; საშ. სპეც. სასწავლებლები. ი. ფრანკოს სახ. უკრ. მუს.-დრამ. თეატრი, თოჯინების თეატრი, ფილარმონია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ივანო-ფრანკოვსკის ოლქი (1962-მდე სტანისლავის ოლქი), უკრ. სსრ დს. ნაწილში. შეიქმნა 1939 წ. 4 დეკ. ფართ. 13,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 1333 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 36%. ცენტრი — ქ. ივანო-ფრანკოვსკი. ოლქის ჩრდ.-აღმ. ნაწილი ვაკეა (დნესტრის-პირეთი), ცენტრალური — გორაკ-ბორცვიანი (კარპატებისპირეთი), სამხრ.-დს. ნაწილი — მთიანი (უკრაინის კარპატები). მთავარი მდ-ებია დნესტრი და პრუტი.



ივანო-ფრანკოვსკის ოლქი. ტურბაზის ხედი. იარემჩა.

ი.-ფ. ო. უკრ. სსრ ნავთობის, აირის, კალიუმის მარილების მოპოვების, ხე-ტყის დამზადების, ხის დასამუშ. მრეწვ. პროდუქციის წარმოების უმთავრესი რ-ნია. განვითარებულია ქიმ. (კალუშის ქიმ.-მეტალ. კომბინატი), კვების (შაქრის, საფქვავი, თამბაქოს, სპირტის) და მსუბუქი (ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო) მრეწველობა; მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (ქ-ნები: ხელსაწყოთსაშენი, სას.-სამ. მანქანების და სხვ.), საშენ მასალათა წარმოება. სამხატვრო სარეწები: ხეზე კვეთა, მეთუნეობა, ფეიქრობა, ხალიჩების წარმოება. ხეობებში ჭვავის, ხორბლის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოს ნათესებია; მთისწინეთში მისდევენ მებაღეობას და მევენახეობას, მთაში — სასაძოვრე მესაქონლეობას. ბევრია კურორტი.

ივანტეევკა, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ მოსკოვის ოლქში. მდებარეობს მდ. უჩის (კლიაზმის შენაკადი) ნაპირზე, მოსკოვიდან 35 *კმ*. რკინიგზის სადგური. ტრიკოტაჟისა და ბამბასართავი ფ-კები, სპეც. ტექ. აღჭურვილობის ქ-ნა. მექან.-ტექნოლ. ტექნიკუმი.

ივანჩენკოვი ალექსანდრე სერგეის ძე (დ. 28. IX. 1940, ქ. ივანტეევკა, მოსკ. ოლქი), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, საბჭ. კავშირის გმირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი (2. XI. 1978), სკკპ წევრი 1972-იდან. 1964 დაამთავრა მოსკ. საავიაციო ინ-ტი, კოსმონავტთა რაზმშია 1970-იდან. 1978 წ. 15 ივნ. ვ. *კოვალიონოკთან* ერთად გაფრინდა კოსმ. ხომალდ „სოიუზ-29-ით". 17 ივნ. ხომალდი შეუპირაპირდა სამეცნ. სადგურ „სალუტ-6-ს". კოსმ. ფრენა გაგრძელდა 140 *დღ-ღ*. ამ დროის განმავლობაში ხომალდს შეუპირაპირდა ორი პილოტირებული კოსმ. ხომალდი: „სოიუზ-30" (28 ივნ.), რ-ზეც იყვნენ პ. *კლიმუკი* და პოლ. კოსმონავტი მ. გერმაშევსკი (ხომალდი გაუშვეს 27 ივნ., დედამიწაზე დაბრუნდა 5 ივლ.) და „სოიუზ-31" (27 აგვ.), რ-ზეც იყვნენ ვ. *ბიკოვსკი* და ვერმ. კოსმონავტი ზ. *იენი* (ხომალდი გაუშვეს 26 აგვ., დედამიწაზე დაბრუნდა 3 სექტ.), აგრეთვე სატვირთო-სატრანსპ. ხომალდები „პროგრეს-2" (შეუპირაპირდა 9 ივლ.), „პროგრეს-3" (10 აგვ.) და „პროგრეს-4" (6 ოქტ.) 2 ნოემბ. ი. და კოვალიონოკი დედამიწაზე დაბრუნდნენ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, კარლ მარქსის და „ეროუნალდის ჯვრის" I ხარისხის ორდენებით.

ივარდავა დილარ თომას ძე (დ. 28. XII. 1940, სოფ. ზედაეწერი), ქართველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1960-იდან. ლექსთა პირველი კრებ. „ასე იწყება ლერწმის შრიალი" 1965 გამოაქვეყნა. ი-ს ძირითადი კრებულებია „რტოები არ იმსხვრევიან" (1968), „ჩუქურთმა ხეზე" (1969), „ლარჭემის ხმები" (1971), „ნათლის სამოსელი" (1973) და სხვ. 1978 მიენიჭა ლენინური კომკავშირის პრემია ლექსთა ციკლებისათვის „ყინული ლღვება", „სადაც ზღვაა და ლურჯი მთებია", „მზეო, მაცოცხლებელო", „გმირული ორატორია", „ჩემი ცხოვრების ხუთი ფურცელი".

ივატე, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს აღმ. სანაპიროზე. ფართ. 15,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,4 მლნ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 50% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. მორიოკა. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს მთებსა და მაღლობებს, დაახლ. 6% — სანაპირო დაბლობს. წარმოებული პროდუქციის ღირებულების 50%-ზე მეტს იძლევა დამუშავებითი მრეწვ., რ-ის მთავარი დარგებია მეტალურგია, კვებისა და ხის დასამუშ. მრეწველობა. იღებენ ოქროს, პირიტსა და რკინის მადანს. მოჰყავთ ბრინჯი. განვითარებულია მებაღეობა, მესაქონლეობა, თევზჭერა. აგრეთვებენ წყალმცენარე „ვაკამეს" (I ადგილი იაპონიაში). არის ტყის სარეწები.

ივაშკიევიჩი (Iwaszkiewicz) იაროსლავ (დ. 20. II. 1894, სოფ. კალნიკი, ახლანდ. ვინიცის ოლქი), პოლონელი მწერალი. პოლ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952, 1954, 1963), „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი (1970). პოლ. სრ-ის მწერალთა კავშირის თავ-რე (1945—49 და 1959-იდან). ნაწარმოებებს აქვეყნებს 1915-იდან. მისი პოეზია კამერულია, ხოლო პროზა ზღაპრულ-გროტესკული კოლორიტითაა შეფერილი. რეალისტურადაა ასახული სინამდვილე ი-ის რომანებში („მთავარე ამოდის", 1925 და სხვ.), ისტ. რომანებში („წითელი ფარები", 1934 და სხვ.), ნოველებსა და დრამებში („ზაფხული ნოანში", 1936—37 და სხვ.). გერმ. ოკუპანტების წინააღმდეგ პოლ. ხალხის ბრძოლას მიუძღვნა მოთხრ. კრებ. „ძველი აგურის ქარხანა" (1946). პოპულარულია მისი რომანი „ქება და დიდება" (ტ. 1—3, 1956—62). ავტორია მონოგრაფიებისა ფ. შოპენისა და ი. ბახის შესახებ დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ა. ივანჩენკოვი.

ივაშჩენკო მიხეილ მიხეილის ძე (1881, პეტერბურგი, — 22. VIII. 1946, თბილისი), რუსი არქეოლოგი. 1916 მონაწილეობდა პროფ. თ. უსპენსკის ხელმძღვანელობით ტრაპიზონში ჩატარებულ ისტ.-არქეოლ. კვლევა-ძიებაში. 1924—31 მუშაობდა სოხუმში: იყო აფხ. სამეცნ. საზ-ბის წევრი, შემდეგ მდივანი, ხელმძღვანელობდა არქეოლ. გათხრებს (ეშერის სამაროვანი, ზღვისპირა დოლმენები, ოჩამჩირის ნამოსახლარი); იკვლევდა კოლხური კულტურის ძეგლებს. ი-ს ეკუთვნის დებულება ყობანური კულტ. კოლხურ კულტურაზე დამოკიდებულების შესახებ. დიდი დამსახურება მიუძღვის თრიალეთის (1936—37) და მცხეთის (1938—41) მდიდარი არქეოლ. მემკვიდრეობის შესწავლაში. დაამუშავა აგრეთვე ნუმიზმატიკური, ეთნოგრ. და სამხ.-ისტ. საკითხები.

ი. ივაშჩენკოვი.

თხზ.: Адмирал В. М. Головнин, М., — Л., 1946; Гердзеульский клад монет Кесарии Каппадокийской, Л., 1931; Исследование


ივანო-ფრანკოვსკის ოლქი
ბოლშოვცი
ბურშტინი
ბოლშოვეცი
ბოლოხოვეცი
ბერეზნიცა
ბერეზნიცა
ბოლოხოვეცი
ბოლოხოვეცი
ბერეზნიცა
ბერეზნიცა
ბერეზნიცა

ი. ივენსი.

ივეოსისებრნი: 1 — ავსტრალიური; 2 — თეთრი; 3 — სალუთო; 4 — ეთიოპური.



„ივერია“.



ვაშლის ქართული ჯიში ივერია.

კადრი ფილმიდან „მე-17 პარალელი“. 1968. რეჟისორი ი. ივენსი.

არქაიческих памятников материальной культуры в Абхазии, «Известия Научно-исследовательского института кавказоведения», 1935, в. 3; Миклухо-Маклай и Новая Гвинея, Тб., 1938. *აკ. კალანდაძე.*

ივდელი, ქალაქი (1943-იდან) რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, ჩრდ. ურალში, მდ. ივდელის (ობის აუზი) ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი. ხის დასამუშ. კომბინატი, ჰიდროლიზის ქ-ნა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. O-ის მახლობლად იღებენ რკინის მადანს, კირქვას, ამზადებენ ხეტყეს.

ივდითი (ებრ. Ḥეჰუდით — ებრაელი ქალი), ძველი აღთქმის ერთ-ერთი აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნის გმირი ქალი. ეს წიგნი გარეგნულად ისტ. ხასიათისაა, მაგრამ სინამდვილეში რეალურ ფაქტებს არ გადმოსცემს, იგი სავსეა ანაქრონიზმებითა და შეუსაბამობებით: ასურელთა მბრძანებელმა ნაბუქოდონოსორმა გადაწყვიტა ებრაელთა დასჯა, მისმა მხედართმთავარმა ოლომფორნემ (სახელი სპარსულია) ქ. ბეთილუას ალყა შემოარტყა. მშვენიერმა ქვრივმა O-მა იხსნა ქალაქის მკვიდრნი: მოხიბლა ოლომფორნე და მძინარეს კარავში თავი მოჰკვეთა. O-ის წიგნი დაწერილია დაახლ. ძვ. წ. II ს-ში. ებრ. ედდანი დაკარგულია, ცნობილია უძველესი ბერძნ. თარგმანი, რ-ისგანაც მომდინარეობს სხვ. თარგმანები. არსებობს O-ის წიგნის რამდენიმე ქართ. ვერსია, უძველესი — ოშკის ბიბლიაშია (978). O-ის სახე გამოიყენეს ლიტ. და მუს. ნაწარმოებებში — ცნობილია კ. ფ. ჰებელის დრამა და ა. ონეგერის ოპერა, მხატვრობაში — ჯორჯდონეს ტილო. *მ. შანიძე.*

ივენსი (Ivens) იორის (დ. 18. XI. 1898, ნეიმეგენი), ნიდერლანდელი კინორეჟისორი. მის, როგორც კინოდოკუმენტალისტის, შემოქმედებაზე გავლენა იქონიეს ს. ეიზენშტეინმა, ვ. პუდოვკინმა და ძ. ვერტოვმა. 30-იან წლებში გადაიღო ანტიიმპერიალ. ფილმები: „ბორინაჟი“ (1933), „ესპანეთის მიწა“ (1937), „ოთხასი მილიონი“ (1938). სხვა ფილმებიდან აღსანიშნავია: „განგაში“ (1942), „ლატარაკობს ინდონეზია“ (1945), „მშვიდობა გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში“ (1951), „დიდი მდინარეების სიმღერა“ (1954, მუსიკა დ. შოსტაკოვიჩისა, ლექსები ბ. ბრეხტის, მშვიდობის საერთაშ. პრემია, 1955) და სხვ. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1968). O-ის მრავალი ფილმი დაჯილდოებულია საერთაშ. კინოფესტივალების პრემიებით.

ივეოსისებრნი (Ibididae), ფრინველების *ოჯახი ყარყატისნაირთა* რიგისა. ზოგ O-ს ბრტყელი, ბოლოში ნიჩბისებურად გაფართოებული ნისკარტი, გრძელი კისერი და მაღალი ფეხები აქვს (ჟერო), ზოგს კი — წვრილი, გრძელი და ქვემოთკენ რკალად მოხრილი ნისკარტი, გრძელი კისერი და საშ. სიმაღლის ფეხები (ივეოსი). წინა სამი თითის ძირში O-ს პატარა აპკი აქვთ. თავის წინა ნაწილი, ზოგჯერ მთლიანად თავი და კისერიც შიშველია. მრავალ სახეობას კეფაზე გრძელი ბუმბულის „ქოჩორი“ აქვს. O. ფართოდ არიან გავრცელებული ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. გვხვდება ჩრდილოეთის ფორმებიც. ოჯახი ეოცენის პერიოდიდანაა ცნობილი. ამჟამად O. აერთიანებს 32 სახეობას; სსრკ-ში ბუდობს 2 სახეობა — *ჟერო* და ივეოსი. ამიერკავკასიაში აღნიშნულია საღმრთო ივეოსის (Threskiornis aethiopicus) შემოფრენის შემთხვევები. საქართველოში მიმოფრენისას გვხვდება *ჟერო* და ივეოსი. *მ. კუტუბიძე.*

„ივერია“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წ. 3 მარტიდან ყოველკვირეულ გაზეთად, 1879—85 — ჟურნალის სახით, 1886-იდან — ყოველდღიურ გაზეთად. დამაარსებელი და რედ. — ი. ჭავჭავაძე, თანარედაქტორები — ს. მესხი (1881, „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას), ი. მაჩაბელი (1882—84), ა. სარაჯიშვილი (1901 წ. 4 დეკ-იდან); გ. ყიფშიძე (1903—05), შემდეგ, გაზეთის დახურვამდე (1906 წ. 27. VIII) ფ. გოგიჩაიშვილი. „O.“ იყო ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტ. დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. „O.“ თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართვ. ხალხის ეროვნ., სოც.-ეკონ. და კულტ. ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმან. იდეებმა. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში, რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, ისტ., ენათმეცნ., ეთნოგრ., გეოგრ., სოციოლოგიის საკითხებს და სხვ. ი. ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიც. ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რ-იც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. გაზეთი სათანადო შეფასებას აძლევდა კაპიტალ. წარმოების ხასიათისა და გავრცელების საკითხს, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ კლასობრივ წინააღმდეგობებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახ. განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „O-მ“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართ. მწერლობის განვითარების საქმეში. თანამშრომლობდნენ ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ე. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ს. ჭრელაშვილი და სხვ., ნიჭიერი კორესპონდენტები და ჟურნალისტები: ა. ყიფშიძე, გ. ყიფშიძე, ა. ნანეიშვილი, ა. ახნაზაროვი, დ. მიქელაძე, გ. ლასხიშვილი და სხვ. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აძლევდა მკითხველს თანამედროვე რუს. და ევრ. ლიტ-რაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართ. ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

ლიტ.: ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 1—2, თბ., 1940—41; ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 3, ნაკვ. 1—2, თბ., 1963—64; ტ. 4, თბ., 1965; ტ. 5, ნაკვ. 1, თბ., 1967; ტ. 6, ნაკვ. 1, თბ., 1969. *ს. ხუციშვილი.*

„ივერია“, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1923 გაზ. „ხომლის“ ნაცვლად. სულ 2 ნომერი გამოვიდა. დაიბეჭდა მწერალთა კავშირის 1923 კონფერენციის მასალა, ს. მგალობლიშვილის, ლ. ქეიჩელის და სხვ. მწერალთა ლიტ. ნაწარმოებები. გამომც. — სარედაქციო კოლეგია.

ივერია, ვაშლის ქართული ჯიში. გამოყვანილია სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში ზამთრის ბანანისა და კეხურას შეჯვარებით. ხე ინტენსიურად იზრდება. აქვს მომრგვალო-პირამიდული ფორმის გვარჯი. მოსავალს მე-6—7 წელს იძლევა, უხვმოსავლიანია, ერთი ხიდან საშ. მოსავალია 300—350 *კგ.* ნაყოფი მსხვილია (200—220 *გ*-მდე), მომრგვალო, მოყვითალო-წითელი, რბილობი — მოთეთრო, საკმაოდ მკვრივი, წვნიანი, მოტკბო-მომჟავო. იკრიფება ოქტ-ში, კარგად ინახება მაისამდე. სასუფრე ჯიშია, ტრანსპორტაბელური. გავრცელებულია ქართლის რ-ნებში. *შ. აბვლედიანი.*

ივერსენი (Iversen) ფელიქს (დ. 22. IX. 1887, ლიუბეკი, გერმანია), ფინეთის საზოგადო მოღვაწე. 1920—54 ჰელსინკის უნ-ტის მათ. კათედრის პროფესორი. 20-იანი წლებიდან აქტიურად მოიწილეობდა მშვიდობისათვის ბრძოლაში. 1950—52 ჩრდ. ევრ. ქვეყნების მშვიდობის კავშირის თავ-რე. 1950-იდან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1955).

ივლიანთგორი, სოფელი თიანეთის რ-ნში (ზარიძეების სოფსაბჭო), ლიზოს მთის სამხრ.-დას-ით, მდ. ვერხვეულის (ივრის აუზი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1200 *მ*, თიანეთიდან 12 *კმ*, ტუშურების მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, სოფ. ზარიძეებში (5 *კმ*).

ივლისი (ლათ. Julius), კალენდარული წლის მეშვიდე თვე. შეიცავს 31 დღ-ღ. სახელი ეწოდა იულიუს კეისრის პატივსაცემად. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით — თიბისა, ხალხ. სახელწოდებანია მკათათვე და კვირიკობისთვე. სულხანსაბას მიხედვით ადრე ავი და კვიტოლიონიც ეწოდებოდა.

ივლისის დღეები 1917, მესამე პოლიტიკური კრიზისი რუსეთში თებერვლიდან ოქტომბრამდე (იხ. *აპრილის კრიზისი 1917, ივნისის კრიზისი 1917*). კრიზისი გამოიწვია იმ წინააღმდეგობებმა, რ-ებიც არსებობდა მშრომელი მასების მისწრაფებებსა და დროებითი მთავრობის იმპერიალ. პოლიტიკას შორის. მღელვარების საბაბი გახდა არმიის შეტევა ჩაშლა ფრონტზე და რევ. ჯარის ნაწილების დაშლა. 3—4 ივლ. (16—17 ივლ.), პეტროგრადში გაიმართა ჯარის ნაწილებისა და მშრომელების 500-ათასიანი დემონსტრაცია, რ-საც რსდმპ (ბ) ცკ-ის შენობასთან მიესალმა ვ. ი. ლენინი. დემონსტრანტების დელეგაციამ მიმართა საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს და მოითხოვა მთელი ხელისუფლება გადასცემოდა საბჭოებს, მაგრამ ესერ-მენშევიკების უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი ამ მოთხოვნას. დემონსტრანტებს ტყვია დაუშინა ჯარმა, 700-მდე კაცი დაიჭრა და მოკვდა. 5 ივლ. (18 ივლ.) რსდმპ(ბ) ცკ-მა გადაწყვიტა დემონსტრაციის შეწყვეტა. 6 ივლ. (19 ივლ.) გამოქვეყნდა ბრძანებულება ვ. ი. ლენინის დაპატიმრების შესახებ. ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა იატაკქვეშეთში გადასულიყო. 8 ივლ. გადამდგარი გ. ლვოვის ნაცვლად პრემიერ-მინისტრი გახდა ა. კერენსკი. O. დ. ორხელისუფლებიანობის დასასრულს მოასწავებდა, რევ. მშვიდობიანი განვითარება შეუძლებელი გახდა.

ივლისის მონარქია, პერიოდი საფრანგეთის ისტორიაში 1830 წლის *ივლისის რევოლუციიდან*, რ-მაც ბოლო მოუღო რესტავრაციის რეჟიმს (იხ. *რესტავრაცია საფრანგეთში*), 1848 წლის *თებერვლის რევოლუციამდე*, რ-მაც დაამყარა მეორე რესპუბლიკა. კ. მარქსის თქმით, O. მ-ის დროს საფრანგეთში ბატონობდა არა საფრ. ბურჟუაზია, არამედ მხოლოდ მისი ერთი ფრაქცია — ე. წ. ფინანსური არისტოკრატია.

ივლისის რევოლუცია 1830 საფრანგეთში, ბურჟუაზიული რევოლუცია, რ-მაც საბოლოოდ დაამხო ბურბონთა მონარქია. O. რ. გამოიწვია ბურბონთა რეაქციულმა რეჟიმმა, ხალხის მდგომარეობის გაუარესებამ (გადასახადების ზრდა; ხელფასის შემცირება); 1827—30 სამრეწვ. კრიზისმა და 1828—29 მოუსავლიანობამ, აგრეთვე ლიბერ. ბურჟ. მისწრაფებამ

ილიტ. ბატონობის მოსაპოვებლად. რევ. ობები გახდა მეფის (შარლ X) მიერ ამოცემული ბრძანებულებანი („პოლიაკის ორდონანსები") დეპუტატთა პალატის დათხოვნის, საარჩევნო უფლების ეზღუდვის და პროგრ. პრესის დევნის აძლიერების შესახებ. 27 ივლ. პარიზში გეთქა შეიარაღებულმა ავჯანყებამ. ავჯანებულები მოითხოვდნენ 1814 კონსტ. ქარიის დაცვას და პოლინიაკის ულტრარეაქციონერული მთავრობის გადაყენებას. 29 ვლისს მათ დაიკავეს ტიუილრის სასახლე ა მთავრობის სხვა შენობები. ავჯანყებამ აიმარჯვა. პარიზში ხელისუფლება „მუციპალური კომისიის" ხელში გადავიდა. კომისიის მსხვილი ბურჟ. ზომიერეობერ. წარმომადგენლები (ბანკირები . ლაფიტი და კ. პერიე, აგრეთვე მარკი- ი მ. ჟ. პ. ლაფაიეტი და სხვ.) მეთაურობენ. რესპ. მომხრეთა პროტესტის მიუხეავად, დეპუტატთა პალატამ ხელისუფეება გადასცა *ლუი-ფილიპე ორლეანელს*. 830 წ. 2 აგვ. შარლ X ტახტიდან გადადა. ხოლო 7 აგვ. ლუი-ფილიპ „ფრანგეის მეფედ" გამოაცხადეს. ახ. კონსტიტუიამ („1830 ქარტია") 1814 ქარტიასთან ედარებით შეამცირა ქონებრივი ცენზი ბომრჩეველთათვის და რამდენადმე შეზუდა მეფის ხელისუფლება, მაგრამ მშრელთა მასები და წვრილი მესაკუთრენი ბის უფლების გარეშე დატოვა; ძალაში არჩა მუშათა წინააღმდეგ მიმართული ანონები და მძიმე გადასახადები. ძვ. პოეიციურ-ბიუროკრ. აპარატი ხელუხლებად შეინარჩუნეს. მიუხედავად დაუმთავებელი ხასიათისა, ი. რ-ს პროგრ. მნიშნელობა ჰქონდა: ბურჟ. მონარქიის დაფუძებით პოლიტ. ბატონობა მოიპოვა სხვილმა ბურჟუაზიამ, რ-მაც საბოლოოდ აიმარჯვა თავადაზნაურობაზე, ბოლო ოულო აბსოლუტიზმის აღდგენის ცდებს, ლიერი დარტყმა მიაყენა „საღვთო კავირის" რეაქციულ სისტემას და მოამზა ა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარეა. ი. რ-მ დიდი გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების რევოლუციებსა და განმათ. მოძაობაზე.

ლიტ.: Молок А. И., Июльские ни 1830 г. в Париже, *კრ.*: Исторические записки, т. 20, М., 1946.

ივლისის რევოლუცია ეგვიპტეში 952, რევოლუციური გადატრიალება, -მაც დასაბამი მისცა ეროვნულ-განმათისუფლებელ რევოლუციას ეგვიპტეში.

1952 წ. 23 ივლ., ღამით, პატრიოტულად განწყობილმა სამხ. პირთა ჯგუფ — „თავისუფალი ოფიცრების" საიდუმო ორგანიზაციის წევრებმა — გამალ აბელ *ნასერის* მეთაურობით მოახდინეს ევ. გადატრიალება და დაამხეს მეფე ფაუკის ფეოდ.-მონარქისტული რეჟიმი. 26 ვლ. მეფემ ტახტზე უარი განაცხადა და გვიპტე დატოვა. ხელისუფლება გადავიდა რევ. ხელმძღვანელობის საბჭოს ხელში რხს). ხელისუფლების სათავეში მოსული ხალგაზრდა ოფიცრების მთავარი დასარდენი იყო არმია, ძირითადი მიზანი— გვ. სრული ეროვნ. განთავისუფლება და ისი დამოუკიდებელი განვითარებისათვის ირობების შექმნა. ივლ. რევ. ხასიათი და როგრამა განსაზღვრა ნასერის მიერ წაოყენებულმა „ექვსმა პრინციპმა": კოლოიალიზმისა და მისი აგენტურისაგან ქვეყის განთავისუფლება; ფეოდალიზმის ლიკიდაცია; სახელმწ. ხელისუფლებაზე კაიტალის ბატონობის მოსპობა; სოც. საართლიანობის დამყარება; ეროვნ. არმიის შექმნა; ეგვ. საშინაო ცხოვრების დეოკრატიზაცია.

რევ. მთავრობის პირველი მთავარი ონისძიება იყო აგრ. რეფორმის გამოცხადება (1952 სექტ., რ-იც ზღუდავდა სხვილ ფეოდ. მიწათმფლობელობას) და ალ ბრიტანეთთან მოლაპარაკების დაყება ეგვ. ტერიტორიიდან ინგლ. ჯარების გაყვანის შესახებ. რხს-ს პროგრამასა და საქმიანობას მხარი დაუჭირა ეგვ. ხალხის დიდმა უმრავლესობამ, აგრეთვე საბჭ. კავშირმა და სხვა სოციალ. ქვეყნებმა.

ივლიტა, სოფელი ახალციხის რ-ნში (სხვილისის სოფსაბჭო), მდ. ფოცხოვის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ*, ახალციხიდან 3 *კმ*. სხვილისის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა ახალციხეში. კლუბი, ბ-კა.

ივნევი რიურიკ (ნამდვ. სახელი და გვარი მიხეილ ალექსანდრეს ძე კოვალიოვი) [დ. 11 (23). II. 1891, თბილისი], რუსი საბჭ. პოეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო კრებულით „თვითდაწვა" (1913). ეგოფუტურისტების, ხოლო რევ. შემდეგ იმაჟინისტთა წრის აქტ. წევრი იყო. ავტორია ლექსთა კრებულებისა „ჩემი ქვეყანა" (1943), „რჩეული ლექსები" (1965), „რჩეული ლექსები, 1912—1972" (1974). რამდენიმე წელი დაყო საქართველოში. მისი ლიტ. მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ცხოვრებასთან და კულტურასთან. გარდა ლექსებისა, ქართ. თემაზე აქვს დაწერილი რომანები „სიყვარული უსიყვარულოდ" (1925), „ღია სახლი" (1927) და სხვ. თარგმნა ქართვ. კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების ნაწარმოებები, აგრეთვე აზერბ. და ოს მწერალთა თხზულებები.

თხზ.: რჩეული ლექსები, თბ., 1947; У подножия Мтацминды. Мемуары. Новеллы разных лет. Повесть, М., 1973.

ბ. გიგოლოვი.

ივნისი (ლათ. Junius), კალენდარული წლის მეექვსე თვე. შეიცავს 30 დღ-ღ. სახელწოდება მომდინარეობს ძვ. რომაელთა მითოლოგიური ქალღმერთის იუნონას სახელიდან. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით — მარიალისა. ხალხ. სახელწოდებანია თიბათვე და ივანობისთვე.

ივნისის აჯანყება 1848, პარიზის მუშათა მასობრივი შეიარაღებული აჯანყება 23—26 ივნისს, ისტორიაში „პირველი დიდი სამოქალაქო ომი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის" (ლენინი ვ. ი. თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 358), პროლეტ. რევ. პირველი ნაადრევი ცდა. გამოიწვია ბურჟ. რეაქციის ცდამ მოესპო 1848 თებ. ბურჟ.-დემოკრ. რევ. მონაპოვარი. აჯანყების უშუალო საბაბი გახდა ე. წ. „აღმასრულებელი კომისიის" 22 ივნ. ბრძანება „ეროვნული სახელოსნოების" დახურვის, მუშათა არმიაში გაწვევის და სხვ. შესახებ. 22 ივნ. საღამოს, პარიზში დაიწყო მუშათა დემონსტრაციები და მიტინგები, ხოლო 23 ივნ. — აჯანყება, რ-იც სწრაფად მოედო პარიზის აღმ. და ჩრდ.-აღმ. მხარეს. მუშათა უბნები, გარეუბნები, ქალაქის ცენტრ. რ-ნების ნაწილი ბარიკადების მჭიდრო ქსელით დაიფარა. აჯანყებულთა რაოდენობამ 40—50 ათასს (სხვა ცნობებით, 60 ათ.) მიაღწია. აჯანყებულნი მოითხოვდნენ მთავრობის წევრების დაპატიმრებას, „ეროვნული სახელოსნოების" შენარჩუნებას, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას, „შრომის უფლების" განხორციელებას. აჯანყების გაქანებით შეშინებულმა ეროვნ. კრებამ 24 ივნ. დიქტატორული რწმუნებანი მისცა სამხ. მინისტრს გენ. ლ. კავენიაკს, რ-მაც პროვინციებიდან გამოიწვია ჯარის ნაწილები, თავი მოუყარა 150-ათასიან არმიას და მძიმე არტილ. გამოყენებით სისხლში ჩაახშო აჯანყება. მოკლეს აჯანყების 11 ათ. მონაწილე, გადაასახლეს 4 ათასი. აჯანყების დამარცხება განაპირობა სოციალ. რევ. გამარჯვებისათვის აუცილებელი ეკონ. და პოლიტ. პირობების მოუმწიფებლობამ. ი. ა. ევრ. 1848—49 რევოლუციების უმაღლესი ეტაპი იყო. აჯანყების ჩახშობას თან ახლდა ბურჟ. კონტრრევ. გაძლიერება საფრანგეთში და სხვ. ქვეყნებში.

ლიტ.: Маркс К., Июньская революция, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 5; Молок А. И., Июньские дни 1848 г. в Париже, М., 1948.

ივლისის რევოლუცია. ბრძოლა როანის ქუჩაზე (1830 წ. 26 ივლისი). მხატვარი ლეკონტი. კარნავალეს მუზეუმი. პარიზი.

ივნისის კრიზისი 1917, მეორე პოლიტიკური კრიზისი რუსეთში თებერვლიდან ოქტომბრამდე (*აპრილის კრიზისის* შემდეგ); გამოიწვია მშრომელ მასებსა და იმპერიალ. ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობებმა ზავისა და მიწის საკითხებზე და ეკონ. მდგომარეობის გაუარესებამ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების I სრულიად რუს. ყრილობაზე, რ-იც მიმდინარეობდა 3—24 ივნ. (16 ივნ. — 7 ივლ.), ჭარბობდნენ ესერები და მენშევიკები. მათი ზეგავლენით ყრილობამ მხარი დაუჭირა დროებით მთავრობას და უარყო ბოლშევიკების მოთხოვნა ომის შეწყვეტისა და ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის თაობაზე. 18 ივნ. (1 ივლ.) გაიმართა 500-ათასიანი დემონსტრაცია მოწოდებებით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" „ძირს 10 მინისტრი — კაპიტალისტი!", „პური, მშვიდობა, თავისუფლება!" ასეთივე დემონსტრაციები გაიმართა მოსკოვში, მინსკში, ხარკოვსა და სხვ. ქ-ებში. ი. ჰ. არ გადაიზარდა ბურჟ. ხელისუფლების კრიზისში, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზები უცვლელი დარჩა, რასაც შედეგად მოჰყვა *ივლისის დღეები 1917*

ფ. ივერსენი.

ივნისის დღეები დემონსტრანტ მეზღვაურთა კოლონა ნევის პროსპექტზე. 1917 წ. 18 ივნისი.

ივო (Iwo), ქალაქი სამხრ.-დას. ნიგერიაში, ოიოს შტატში. 214 ათ. მცხ. (1975). მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. აგროვებენ კაკაო-მარცვალს, ზეთის პალმის ნაყოფს. პალმის ზეთისა და ინდიგოს წარმოება. ფეიქრობა.

ივრეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ღრომის სოფსაბჭო), მდ. მეჯუდის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 980 *მ*, ცხინვალიდან 32 *კმ*. ღრომის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. დიდ ღრომში (3 *კმ*).

ივრითი (ებრ. 'ivrit — ებრაული), *ებრაული ენის* არასწორი სახელწოდება, რ-იც უკანასკნელ ხანებში იხმარება ზოგიერთ ენაში.

ივრის ზეგანი, გარე კახეთის ზეგანი, ზეგანი აღმ. საქართველოში, მტკვარ-ალაზნის შუამდინარეთში. გადაჭიმულია 170 *კმ*, თბილისის მიდამოებიდან ალაზნის ქვემო დინებამდე. სიგანე 60 *კმ*. სიმაღლე 80-იდან 1000 *მ*-მდე. აგებულია ძირითადად სუსტად დანაოჭებული კაინოზოური ქვიშა-ქვებით, კონგლომერატებით, თიხებითა და კირქვებით. რელიეფი ვაკე-ბორცვიანია. უმნიშვნელოვანესი ვაკეებია: დიდი შირაქი, პატარა შირაქი, ტარიბანა, ოლე, ნომარი, უდაბნო, ყაჯირი; სერებია — ამართული, დემურდალი, გარეჯა, პირუკულმამთა, კოწახურის ქედი, ბურდამთა,

ᲘᲖᲐᲑᲔᲚᲐ.

ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲘ. ᲛᲔᲤᲔᲗᲘ. XV Ს.

შვინდისფელი, ყათარფელი, ზილჩა, ყაში, ყალადარა და სხვ. ვაკეები წარმოქმნილია მეოთხეულ პერიოდში ფხვიერი ნაფენებით სინკლინების ამოვსებით. Ი. ზ-ზე არის ბედლენდები, ტალახიანი ვულკანები, ხელოვნური გამოქვაბულები. ჰავა მშრალი სუბტროპიკულია, იანვ. საშ. ტემპ-რა 0-იდან —2°C-მდე, ივლ. 23—24°C. ნალექები 400—600 *მმ* წელიწადში. მთავარი მდინარეა იორი. არის მარილიანი ტბები — ყაჯირი, მუხროვანი, ქოჩები, აზამბურის ტბათა ჯგუფი. გავრცელებულია შავმიწა, წაბლა, ყავისფერი, მურა და მლაშობ-ბიცობიანი ნიადაგები. Ი. ზ-ის ლანდშაფტი ადამიანის ხელითაა გარდაქმნილი და უმთავრესად სტეპური, ტყესტეპური, არიდული ტყისა და ნახევარუდაბნოს ხასიათისაა. *ლ. მარუაშვილი.*

ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ ალექსანდრე გიორგის ძე [10 (23). XI. 1903, ტოკმაკი, ახლანდ. ზაპოროჟიეს ოლქი, — 30. VI. 1968, ზაპოროჟიე], საბჭ. ავიაკონსტრუქტორი, უკრ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1964), სოციალ. შრომის გმირი (1963). სკკპ წევრი 1924-იდან. დაამთავრა ხარკოვის მექან.-მანქანათმშ. ინ-ტი (1935). მუშაობდა დგუშიანი, ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი საავიაციო ძრავების შექმნაზე. სსრკ სახელმწ. პრემია (1948), ლენინური პრემია (1960). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

ᲘᲖᲐᲑᲔᲚᲐ, ვაზის ამერიკული ჯიში. ბუნებრივი ჰიბრიდია. სსრკ-ში გავრცელებულია დას. საქართველოს ტენიან რ-ნებში (ე. წ. „ადესა"), აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში. პერსპექტიულია მოლდ. სსრ-თვის (გარდა ჩრდ. რ-ნებისა); კარგად უძლებს ფილოქსერასა და სოკოვან დაავადებებს (მილდიუმი, ოიდიუმი). ნაყოფი შავია, აქვს სპეციფ. გემო, მწიფს მოგვიანებით, იყენებენ საჭმელად და მეღვინეობაში.

ᲘᲖᲐᲘ (Ysaye) ეჟენ (16. VII. 1858, ლიეჟი, — 12. V. 1931, ბრიუსელი), ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი. 1879—83 ბ. ბილზეს სიმფ. ორკესტრის კონცერტმაისტერი ბერლინში. 1886-იდან ბრიუსელის კონსერვ. პროფესორი, 1894-იდან მის მიერვე დაარსებული სიმფ. საზ-ბის „იზაის კონცერტების" დირიჟორი და დირექტორი. Ი. იყო კლასიკური ნაწარმოებების საუკეთესო ინტერპრეტატორი. დაწერა სავიოლინო თხზულებანი (მ. შ. 6 სონატა სოლო ვიოლინოსათვის), ტრანსკრიფციები. ბრიუსელში ჩატარდა Ი-ს სახ. მევიოლინეთა (1937) და პიანისტთა (1938) საერთაშ. კონკურსები.

ლიტ.: Гинзбург Л., Эжен Изаи, М., 1959.

ᲘᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნიკოლოზ პავლეს ძე [დ. 1 (14). XII. 1910, თბილისი], ქართველი საბჭ. ქირურგი, უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1931 დაამთავრა თბილ. სამედ ინ-ტი. 1966-იდან საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ა. წულუკიძის სახ. უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილეა სამეცნ. დარგში. შეისწავლის ძირითადად უროლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს, უროლოგიურ დაავადებათა დროს სარძმის მინერ. წყლების მოქმედების მექანიზმებს და სხვ.

თხზ.: პროსტატის ადენომა და მისი ოპერაციული მკურნალობა, თბ., 1962.

ᲘᲖᲐᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ, ქალაქი (1949-მდე დაბა) დაღ. ასსრ-ში, კასპიის ზღვის სანაპიროზე. რკინიგზის სადგური. ელექტროთერმული მოწყობილობის და რძის ქ-ნები, წისქვილკომბინატი. ყორის ქვისა და კვარცის ქვიშის მოპოვება. მუსკომედიის სახალხო თეატრი და დრამ. თეატრი.

ᲘᲖᲔᲝ (Iseo), ტბა ჩრდ. იტალიაში, ლომბარდიის ალპებისპირეთში, 185 *მ* სიმაღლეზე. ფართ. 65 *კმ²*. სიღრმე 251 *მ*-მდე. დგას ძვ. მყინვარულ აუზში. აქვს ციცაბო კლდოვანი ნაპირები. Ი-ზე გადის მდ. ოლიო (პოს მარცხ. შენაკადი). სანაოსნოა. თევზჭერა. Ი-ს სამხრ. ნაპირზეა ქ. იზეო.

ᲘᲖᲔᲠᲘ (Isère), მდინარე საფრანგეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, რონის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 290 *კმ*, აუზის ფართ. 11,8 ათ. *კმ²*. სათავე აქვს გრაის ალპებში, იტალიის საზღვარზე. ღრმა ხეობით კვეთს სავოიის ალპებს. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში. წყლის საშ. წლ. ხარჯი დაახლ. 330 *მ³/წმ*. Ი-ის აუზშია ჰესი და წყალსაცავი. ქვემოთში მდინარეს იყენებენ სარწყავად და სანაოსნოდ. Ი-ის ნაპირზეა ქ. გრენობლი. Ი-ის ზემო დინება ზამთრის სპორტისა და ტურიზმის ცენტრია.

ᲘᲖᲔᲠᲚᲝᲰᲜᲘ (Iserlohn), ქალაქი გფრ-ში, ჩრდ. რაინ-ვესტფალიის მხარეში, 57,8 ათ. მცხ. (1970). ლითონდამუშავების მნიშვნელოვანი ცენტრი (მავთული, ზამბარა, ნემსი, ბრინჯაოს ნაკეთობანი), არმატურის, სანათი აპარატურის, ელექტრომრავის წარმოება. პირველად იხსენიება 1050. ქალაქია 1278-იდან.

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ" ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲕ ᲜᲐᲠᲝᲓᲜᲘᲰ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲕ ᲡᲡᲡᲠ", ყოველდღიური საერთო პოლიტიკური გაზეთი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გამოცემა. გამოვიდა 1917 წ. 28 თებ. (13 მარტს) პეტროგრადში სახელწოდებით „იზვესტია პეტროგრადსკოგო სოვეტა რაბოჩიხ დეპუტატოვ". შემდგომ წლებში „Ი-ის" სახელწ. იცვლებოდა სსრკ საკანონმდებლობო ორგანოს სახელწოდების შეცვლასთან ერთად „Ი-ის" პირველი რედაქტორები იყვნენ: ი. სტეკლოვი, ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, მ. საველიევი.

„Ი-ს" სსრკ-ის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ავტონ. რესპუბლიკათა უმეტესობაში, მხარეებსა და ოლქებში ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები, დაახლ. 100-მდე უშტატო კორესპონდენტი, 30-ზე მეტი საკუთარი კორესპონდენტი საზღვარგარეთ. გაზეთს აქვს საკუთარი პოლიგრაფ. ბაზა. მოსკოვის გარდა ზოგიერთ ქალაქში ისტამბება მატრიცებიდან, ზოგან ფოტო-დეპეშათა ასლებიდან (მ. შ. იბილისში). 1961 წ. 1 ივნ-იდან გამოიცემა ორ წყებად, დილითა და სალამოს. 1959-იდან უშვებ. ილუსტრირებულ დანართს „ᲘᲔᲓᲔᲚᲘᲐᲡ" 1949 გაზეთი დაჯილდოვდა შრომის წ. თელი დროშის ორდენით, 1967, გამოცემ. 50 წლისთავთან დაკავშირებით, — ლენ. ნის ორდენით, ხოლო 1977 — ოქტომბრ. რევოლუციის ორდენით. ტირაჟი —დაახლ. 9 მლნ. (1978).

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲡᲙᲝᲒᲝ ᲝᲢᲓᲔᲚ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡᲙᲝᲒᲝ ᲠᲣᲡᲡᲙᲝᲒᲝ ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲠᲐᲤᲘᲩᲔᲡᲙᲝᲒᲝ ᲝᲑᲨᲩᲔᲡᲢᲐᲕᲘ", რუსეთი. საიმპერატორო გეოგრაფიული საზ-ბი კავკასიის განყ-ბის პერიოდული საინფორ. მაციო ბეჭდვითი ორგანო, ირითადად გამოდიოდა თბილისში. I ტ. გამოვიდ. 1872. შემდეგი ტომები იბეჭდებოდა ყო. ველ 1—2 წელიწადში ნაწილ-ნაწილ, ცალ. კეულ ნაკვეთებად. 1917-მდე ულ გამ. ვიდა 25 ტ. მასში ძირითადად იბეჭდ. ბოდა განყ-ბის ადმ.-ორგანიზაციულ. საქმიანობის ანგარიში და მა წევრ. მიერ ჩატარებული სამეცნ.-კვლ მუშაობ. შედეგები, კრიტ. და ბიბლიოგრაფიულ. სტატიები, საერთო კრებებზე წაკითხ. ული მოხსენებები და სხვ. *დ. კაპანაძ.*

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ" ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘ, კუნძულები ჯგუფი კარის ზღვის სამხრ. ნაწილში, ფართ. დაახლ. 90 *კმ²*. უდიდესია კ-ეკ. პოლოგი (სიმაღლე 26 *მ*-მდე) და ტრო. ნოი (სიმაღლე 42 *მ*-მდე). აგებულია კრი. ტალური ფიქლებით, ქვიშაქვებითა და ტრაპეზებით. შემოსილია არქტიკული ტუნდრ. ის მცენარეულობით. აღმოაჩინეს 1932—33.

ᲘᲖᲘᲣᲛᲘ, ქალაქი უკრ. სსრ ხარკოვ. ოლქში, მდ. ჩრდ. დონეცის ნაპირზე. რკ. ნიგზის სადგური. 58 ათ. მცხ. (1977). თბომავალსარემონტო, ოპტიკა-მექან., ს. შენ მასალათა, აგურის, ლუდის ქ-ნები. ავეჯის ფ-კა. სამედ. სასწავლებელ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქალაქ. 1765-იდან.

ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲘ, ქალაქი უკრ. სსრ ოდესა. ოლქში, მდ. დუნაის კილიის ტოტის მარცხ. ნაპირზე, შავი ზღვიდან 80 *კმ*. ნავსადგური (შედიან საზღვაო გემები), რკინიგზ. სადგური. 79 ათ. მცხ. (1977). ქალაქ. დაარსების თარიღი უცნობია, XVI ს-იდან. იხსენიება როგორც ოსმალ. ციხესიმაგრე. რუს.-ოსმ. 1768—74 ომის დროს, 177. წ. 26 ივლ., გენ. ნ. რეპნინის კორპუსს. Ი. აიღო და 1771-იდან იგი რუს. დუნაფლოტილიის ბაზად იქცა. ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით (1774) (ოსმალეთს დაუბრუნდა. რუს.-ოსმ. 1787. 91 ომის დროს, 1790 წ. 11 (22) დეკ. რუს. ჯარებმა, რ-საც ა. სუვოროვი სარ. ლობდა, გააფთრებული ბრძოლის შემ. დეგ შტურმით აიღეს Ი. (35-ათასიან. გარნიზონი, 265 ქვემეხი; სარდალი მეჰ. მედ-ფაშა). იასის 1791 ხელშეკრულებით. Ი. ოსმალეთს გადაეცა. რუს.-ოსმ. 1806—1. ომის დროს, 1809 წ. 14 სექტ., რუს. ჯარებმა Ი. მესამედ დაიკავეს და ბუქარეს. ტის ხელშეკრულებით (1812) რუსეთ. დარჩა, ყირიმის ომის (1835—56) შედ. გად კი, პარიზის ტრაქტატით (1856) ისევ ოსმალეთს დაუბრუნდა. რუს.-ოსმ. 1877—78 ომის დროს, 1877 წ. 13 აპრ. რუს. ჯარებმა Ი. მეოთხედ აიღეს და სან. სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით (1878) იგი რუსეთს გადაეცა. დიდი სამამულ. ომის (1941—45) პერიოდში ოკუპირებულ. იყო (1941 წ. ივლისიდან) გერმ.-რუმ. ჯა. რების მიერ. 1944 წ. 26 აგვ. გაათავ. სუფლეს საბჭ. ჯარებმა.

Ი-ში განვითარებულია კვების მრეწვ. ლობა. არის ცელულოზა-მუყაოს კომბინატი, გემთშემკეთებელი, გემთშემკეთებელ. მექან., სარემონტო, რკინაბეტონის ნაკ. თობათა, აგურის ქ-ნები.




ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲚᲢ
ᲐᲠᲐᲑᲗᲘᲡ ᲡᲚᲢ
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲣᲙᲐ
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘ
ᲐᲮᲘᲐᲚᲘᲙᲘ
ᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ
1:6 600 000


ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲣᲙ
ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘ
ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ
ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲚᲘᲡ
ᲐᲒᲠᲝᲛᲬᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ
ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ
ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲥᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ
ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲥᲠᲘᲡ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ
ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲡᲘᲚᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲪᲘᲜᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲒᲠᲘᲡ-ᲥᲐᲠᲑᲝᲜᲘᲡ
ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡ
ᲙᲐᲠᲑᲝᲜᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ
ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲡᲘᲚᲘᲙᲐᲢᲘᲡ
ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲒᲠᲘᲡ-ᲥᲐᲠᲑᲝᲜᲘᲡ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ
ᲙᲘᲠᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲡᲘᲚᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐ
ᲡᲘᲚᲘᲙᲐᲢᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ
ᲪᲘᲜᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲒᲠᲘᲡ-ᲥᲐᲠᲑᲝᲜᲘᲡ
ᲡᲐᲠᲬᲧᲚᲘᲡ
ᲙᲐᲠᲑᲝᲜᲘᲡ
ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ
ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ
ᲡᲐᲛᲬᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲦᲐᲚ

ქალაქს აქვს რეგულარული გეგმა. თურქ. ციხესიმაგრის (დანგრეულია) ტერიტორიაზე შემორჩენილია მეჩეთი (XV ს.). XIX ს. არქიტ. ბეგლთაგან აღსანიშნავია: ღვთისმშობლის ენქერის ტაძარი (1831, არქიტ. ა. მელნიკოვი), შობის ეკლესია (1823) და სხვ. საბჭ. ხელისუფლების წლებში ი. ინტენსიურად შენდება. ქალაქში დგას ა. სუვოროვის ძეგლი (1945, არქიტ. ბ. ედუარდსი).

ი-ში არის პედ. ინ-ტი, ოდესის ტექნოლ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, ოდესის უმაღლესი საინჟინრო საზღვაო სასწავლებლის დაუსწრებელი ფაკ-ტი, სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკუმი. ა. სუვოროვის მუზეუმი.

იზმაილოვა გალია ბაიაზითის ასული (დ. 12. II. 1923, ტომსკი), საბჭ. ბალეტის მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1962). 1935—41 სწავლობდა ტაშკენტის საბალეტო სკოლაში. 1941-იდან ტაშკენტის ა. ნავოის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. პარტიები: მარია (ასაფიევის „ბახჩისარაის მადრეევანი"), კიტრი (მინკუსის „დონ კიხოტი") და სხვ. დადგა ცეკვები აშრაფის ოპერისათვის „ლილოლომი", ჩაიკოვსკის „გედის ტბა" და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

იზმეი (Ismay) ჰეისტინგზ ლაიონელ (21. VI. 1887, ნაინიტალი, ინდოეთი, — 17. XII. 1965, ბროდუეი, ვუსტერშირი, ინგლისი), ბარონი (1947), ინგლისელი გენერალი (1944). სენდჰერსტში დაამთავრა სამხ. კოლეჯი (1905). მსახურობდა კოლონიურ ჯარებში. 1931—33 იყო ინდ. ვიცე-მეფის სამხ. მდივანი, 1933—36 მსახურობდა საიმპერიო გენშტაბში. 1938—40 იმპერიის თავდაცვის კომიტეტის მდივანი, 1940—46 თავდაცვის მინისტრთან არსებული შტაბის უფროსი და დიდი ბრიტ. სამხ. კაბინეტის მდივანი სამხ. საკითხებში. უ. ჩერჩილის უახლოესი მრჩეველი II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. 1947—52 სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო. 1952—57 ნატოს გენ. მდივანი.

იზმითი (Izmit), ი ზ მ ი დ ი, კ ო ჯ ა ე ლ ი, ქალაქი და ნავსადგური ჩრდ.-დას. თურქეთში, იზმითის ყურის (მარმარილოს ზღვა) ნაპირზე. კოჯაელის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 165 ათ. მცხ. (1975). ი-ზე გადის ანკარა — სტამბოლის რკინიგზის ხაზი და საავტ. გზა. ცელულოზა-ქაღალდის, ნავთობგადასამუშ., შეტალ., კვების, ქიმ. მრეწველობა. ავტომობილების აწყობა და სალტეების წარმოება. დიდი ნავთობსაცავები. რ-ნში აწარმოებენ ტყვიათუთიის კონცენტრატს. ი-ის მახლობლად არის თურქეთის მთავარი სამხ.-საზღვ. ბაზა.

იზმითის ყურე (Izmit körfezi), ყურე მარმარილოს ზღვაში, მცირე აზიის (თურქეთი) ჩრდ.-დას. ნაპირთან. სიგრძე 52 *კმ*, სიგანე შესასვლელთან 6 *კმ*, სიღრმე 183 *მ*-მდე. ყურის ჩრდ. ნაპირი საკურორტო რ-ნია (ანატოლიის რივიერა). ი. ყ-შია ნავსადგური იზმითი.

იზმირი (Izmir), ქალაქი დას. თურქეთში, იზმირის ყურის (ეგეოსის ზღვა) ნაპირზე. იზმირის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 636 ათ. მცხ. (1975). დაარსდა ძვ. წ. II ათასწლეულში როგორც ბერძენ-ეოლიელთა კოლონია და ს მ ი რ ნ ა ეწოდა. ძვ. წ. VI ს-ში დაანგრია ლიდიის მეფე ალიატემ. ძვ. წ. IV ს-ში ხელმეორედ ააშენეს. XV ს-იდან სმირნა (თურქ. ი.) ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაშია და XVIII ს. დასასრულიდან ერთ-ერთი ეკონ. და კულტ. ცენტრია. 1919 წ. 15 მაისს (ბერძენ-თურქთა 1919—22 ომის დროს) ი. საბერძნ. ჯარებმა დაიკავეს. გაათავისუფლეს 1922 წ. 9 სექტემბერს. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ი-ის ნავსადგური სამხ.-საზღვ. ბაზად გადაიქცა. ი-ში არის სამხრ.-აღმ. ევროპაში ნატოს სახმელეთო ძალების სარდლობის შტაბი.

ი. ქვეყნის მთავარი საექსპორტო და მეორე (სტამბოლის შემდეგ) საიმპორტო ნავსადგურია. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროდრომი. მდიდარი სას.-სამ. რ-ნის დიდი სამრეწვ. და სავაჭრო ცენტრი. ი-ში არის საფეიქრო, კვების, ცემენტის, მინაკერამ., ხის დასამუშ., მანქანათსაშ. მრეწველობა. აქ ყოველწლიურად იმართება საერთაშ. ბაზრობა. 1964, 1968, 1973, 1979 ბაზრობაში მონაწილეობდა საქ. სსრ (საკუთარი ექსპოზიციით). 1968 ააგეს საქ. სსრ პავილიონი (არქიტ. ვ. ალექსიმესხიშვილი). არის უნ-ტი, კონსერვატორია, არქეოლ. მუზეუმი. შემორჩენილია ანტ. ნაგებობათა ნანგრევები.

იზო... (<ბერძნ. isos—ტოლი, ერთნაირი, მსგავსი), რთული სიტყვის ნაწილი, რ-იც აღნიშნავს ტოლობას, ფორმით ან დანიშნულებით მსგავსებას (მაგ., იზომერია, იზოტოპი, იზომორფიზმი).

იზოამილის სპირტი, ერთატომიანი სპირტი, $(CH_3)_2CHCH_2CH_2OH$; იხ. სტ. *ამილის სპირტები*.

იზობათები (*იზო...* და ბერძნ. bathos—სიღრმე), წყალსატევების სიღრმეთა *იზოხაზები*. ზღვებზე, რ-ებმაც მოქცევა არ იცის, სიღრმის ათვლა იწყება ზღვის საშ. დონიდან, რ-ებმაც იცის მოქცევა — უდიდესი (სიზიგიური) მოქცევის უდაბლესი დონიდან, ტბებსა და მდინარეებზე — *ფუტშტოკის* ან *რეპერის* პირობითი ნულიდან.

იზობარები (*იზო...* და ბერძნ. baros—სიმძიმე, წონა), ატმოსფერული წნევის *იზოხაზები*. მეტწილად ადგენენ საშ. მრავალწლ. თვიური წნევის, ნებისმიერი პერიოდის საშუალო წნევის ან გარკვეული მომენტის წნევის ი-ის რუკებს. ცალკეულ სადგურებს შორის სიმაღლეთა სხვაობის გავლენის გამოსარიცხად ი-ის გატარებამდე სადგურებზე გაზომილი წნევა *ბარომეტრული ფორმულის* მეშვეობით ზღვის ან სხვა სტანდარტულ დონეზე დაჰყავთ.

იზობარები, ერთნაირი *A მასური რიცხვის* მქონე სხვადასხვა ქიმ. ელემენტის ატომები. ი-ის ბირთვები შეიცავს წუკლონების ტოლ რიცხვს, მაგრამ Z პროტონებისა და *N* ნეიტრონების სხვადასხვა რიცხვს, მაგ., $^{10}_{4}Be$, $^{10}_{5}B$, $^{10}_{6}C$ წარმოადგენენ ი-ს ($A=10$).

ჭარბი პროტონების მქონე მძიმე ი. განიცდიან პოზიტრონულ β-დაშლას ან *K*-ჩაჭერას, ხოლო ჭარბი ნეიტრონების მქონე ი. — ელექტრონულ β-დაშლას. ი-ის კერძო შემთხვევაა ს ა რ კ უ ლ ი ბ ი რ თ ვ ე ბ ი, რ-ებიც მსუბუქ ბირთვებს შორის გვხვდება და მიიღება პროტონებისა და ნეიტრონების ურთიერთშენაცვლებით. მაგ., $^{10}_{6}C_4$ და $^{10}_{5}B_6$ ან $^{7}_{3}L_4$ და $^{7}_{4}Be_3$.

იზობარი (*იზო...* და ბერძნ. baros — სიმძიმე, წონა), მუდმივი წნევის დროს მიმდინარე პროცესის (*იზობარული პროცესი*) გამომსახველი წირი *მდგომარეობის დიაგრამაზე*. იდეალური აირის ი-ის განტოლებაა $nT=\text{const}$, სადაც *n* არის ნაწილაკთა რიცხვი მოცულობის ერთეულში, ხოლო *T* — ტემპ-რა.

იზობარული პროცესი, ფიზიკურ სისტემაში მუდმივი გარე წნევის დროს მიმდინარე პროცესი. ი. პ-ის უმარტივესი მაგალითია წყლის გაცხელება ღია ჭურჭელში, აირის გაფართოება ცილინდრში, რ-საც აქვს თავისუფლად მოძრავი უწონო დგუში. ორივე შემთხვევაში წნევა ატმოსფერულის ტოლია. *იდეალური აირის* მოცულობა ი. პ-ის დროს ტემპ-რის პროპორციულია (*გეი-ლუსაკის კანონები*). სისტემის თბოტევადობა ი. პ-ის დროს უფრო მეტია, ვიდრე იზოქორული პროცესის დროს (მუდმივი მოცულობის დროს), რადგან ი. პ-ის დროს სისტემა მასზე გადაცემული სითბოს ხარჯზე არა მარტო თბება, არამედ ასრულებს მუშაობასაც, რ-იც უდრის $p\,\Delta V$, სადაც *p* არის წნევა, ΔV — მოცულობის ცვლილება.

იზობილნი (1965-მდე სოფ. ი ზ ო ბ ი ლ ნ ო ე), ქალაქი რსფსრ სტავროპოლის მხარეში. იზობილნის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. იზობილნაია, სტავროპოლიდან 65 *კმ*. სარემონტო-მექან., შაქრის, საკონსერვო, ყველ-კარაქის, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, ხორცფრინველკომბინატი.

იზოგამია (*იზო...* და ბერძნ. gamos — ქორწინება), სქესობრივი პროცესის ტიპი, რ-ის დროსაც ერთმანეთს ერწყმის ორი მოძრავი, მორფოლოგიურად მსგავსი გამეტა. ი. დამახასიათებელია წყალმცენარეებისათვის, უმდაბლესი სოკოებისა და ბევრი უმარტივესისათვის (ძირფეხიანები, რადიოლარიები, უმდაბლესი გრეგარინები).

იზოგლოსები (*იზო...* და ბერძნ. glōssa—ენა, მეტყველება), ერთნაირ ენობრივ მოვლენათა გავრცელების აღმნიშვნელი ხაზები რუკაზე. ასეთი რუკა შეიძლება მრავალგვარი იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივი მოვლენის (ფონეტ., მორფოლ., სინტაქსური, ლექსიკური და სხვ.) შესწავლაა დასახული მიზნად. ი-ის საფუძველზე დგება ლინგვისტური ატლასები.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო ფ უ რ ი ა ვ., ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ი., ქართული დიალექტოლოგია, [ტ.] 1, თბ., 1961.

იზოგონები (*იზო...* და ბერძნ. gōnia—კუთხე), ამა თუ იმ ფიზიკური სიდიდის ორიენტაციის *იზოხაზები*. მაგ., *დედამიწის მაგნეტიზმში* ი. მაგნ. მიხრილობის თანაბარი მნიშვნელობის მქონე ხაზებია, მეტეოროლოგიაში კი — ქარების ერთნაირი მიმართულებისა.

იზოდინამები (*იზო...* და ბერძნ. dynamis — ძალა), დედამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობის *იზოხაზები*.

იზოდინამია (*იზო...* და ბერძნ. dynamis — ძალა, უნარი), ი ზ ო დ ი ნ ა მ ი ი ს კ ა ნ ო ნ ი, საკვებ ნივთიერებათა ურთიერთშენაცვლება იმ თანაფარდობით, რომ მათი წვის დროს გამოყოფილი სითბო ტოლი იყოს. ი-ის ცნება შემოიღო გერმ. ფიზიოლოგმა მ. რუბნერმა (1883). ვინაიდან 1 *გ* ცილა, 1 *გ* ნახშირწყალი და 0,44 *გ* ცხიმი ორგანიზმში წვის დროს გამოყოფს სითბოს თანაბარ რაოდენობას (4,1 *კკალ/გ*), ამიტომ შესაძლებელია მათი ურთიერთშენაცვლება. აქ მხოლოდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი: საკვებმა ნივთიერებამ უნდა აღადგინოს ორგანიზმის როგორც ენერგეტიკული, ისე პლასტ. დანახარჯი. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო ცილის რაოდენობის გაანგარიშებისას, რ-იც რაციონში გარკვეულ რაოდენობაზე ნაკლები არ უნდა იყოს. რაციონში ცილის უხვად შეტანა არ არის სასურველი, იგი გადატვირთავს ღვიძლს, სადაც ხდება ამინომჟავათა დეზამინირება. არც ცხიმით გადატვირთვა შეიძლება, რადგან წარმოიქმნება არასრული დაჟანგვის პროდუქტები, რ-იც იწვევს *აციდოზს*.

იზოდრომი (*იზო...* და ბერძნ. dromos — რბენა), მოწყობილობა, რ-საც იყენებენ რეგულატორებში მოქნილი უკუკავშირისათვის. შედგება დემფერისაგან, ზამბარისა და ბერკეტების სისტემისაგან. თავდაპირველად გამოიყენეს ცენტრიდანულ რეგულატორში (იხ. ნახ.), რ-შიც იგი უზრუნველყოფს მანქანის ბრუნვის სიხშირის სტაბილიზაციას სხვადასხვა დატვირთვის დროს. იზოდრომული რეგულატორის მთავარი პარამეტრია იზოდრომის დრო (3 *წმ*-იდან 100 *წთ*-მდე), რ-ის განტემის თბოტევადობა ი. პ-ის დროს უფრო მეტია, ვიდრე იზოქორული პროცესის დროს (მუდმივი მოცულობის დროს), რადგან ი. პ-ის დროს სისტემა მასზე გადაცემული სითბოს ხარჯზე არა მარტო თბება, არამედ ასრულებს მუშაობასაც, რ-იც უდრის $p\,\Delta V$, სადაც *p* არის წნევა, ΔV — მოცულობის ცვლილება.

ვ. იზმაილოვა.



ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.

იზობარი გამოსახავს აირის მოცემული m მასის V მოცულობის დამოკიდებულებას t (ან T) ტემპერატურაზე მუდმივი p წნევის დროს (გეი-ლუსაკის კანონი), როცა ტემპერატურა ცელსიუსის სკალითაა გაზომილი, ეს დამოკიდებულება გამოისახება $V=V_0(1+\alpha_V t)$ ფორმულით (ნახ. 1). ხოლო როცა კელვინის სკალითაა გაზომილი, მაშინ—$V_T=V_0\alpha_V T$ ფორმულით (ნახ. 2). იგივე დამოკიდებულება pV დიაგრამაზე V ღერძის პარალელური წრფით გამოისახება (ნახ. 3).



იზოდრომი, იზოდრომული რეგულატორის სქემა: 1—ცენტრიდანული რეგულატორის ჭურო; 2—იზოდრომის ზამბარა; 3—ცილინდრი; 4—დგუში; 5—ბერკეტი; 6—ჭკვეთარა; 7—სერვოძრავა; 8—სერვოძრავას დგუში; 9—ბრავა; 10—საფარი.

ᲑᲒᲘᲠᲘᲡ ᲘᲖᲝᲔᲢᲔᲡᲘ (Isoetes lacustris): ა—ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲬᲔᲓᲘ; ᲑᲐᲡᲞᲝᲠᲐᲜᲒᲘᲣᲛᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ; ᲒᲐᲛᲘᲡᲘᲔᲚ ᲭᲠᲘᲚᲘ.



ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲘ.

ᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲘᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲘᲖᲝᲚᲘᲠᲘᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐ ᲡᲘᲚᲘᲡ 1%-ᲘᲗ.

ა. ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲘᲖᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲘ, ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲢᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲬᲙᲠᲘᲕᲘ, Რ-ᲗᲐᲪ ᲘᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘᲕᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲢᲝᲛᲔᲑᲘ. ᲣᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲡᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲔᲑᲘ Ｏ. 8. H, He^{+}, Li^{2+}, Be^{3+}, ... ᲓᲐ ᲞᲔᲚᲘᲣᲛᲘᲡ Ｏ. 8. He, Li^{+}, Be^{2+}, B^{3+}, ...

ᲘᲖᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲮᲡᲜᲐᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ (ᲐᲜ ᲓᲘᲡᲞᲔᲠᲡᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲖᲘᲡ) ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, Რ-ᲗᲐᲪ ᲐᲓᲡᲝᲠᲑᲪᲘᲣᲚ ᲨᲠᲔᲨᲘ ᲢᲝᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘᲡ ᲛᲣᲮᲢᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲙᲘᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲜᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲚᲘᲐ. Ｏ. Ｗ-ᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲘᲓᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘᲐ, Ე. Ი. ᲘᲛᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲡᲞᲔᲠᲡᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲖᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ (*ᲘᲮ. ᲙᲝᲐ�გᲣᲚᲐᲪᲘᲐ*). Ｏ. Ｗ. ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲛᲤᲝᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘᲡ (ᲐᲛᲤᲝᲚᲘᲢᲔᲑᲘᲡ) ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ.

ᲘᲖᲝᲔᲜᲗᲐᲚᲞᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (*ᲘᲖᲝ... ᲓᲐ ᲔᲜᲗᲐᲚᲞᲘᲐ*), �თᲔᲠᲛᲝᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, Რ-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲔᲜᲗᲐᲚᲞᲘᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘᲐ. Ｏ. Ｐ-ᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘᲐ ᲐᲓᲘᲐᲑᲐᲢᲣᲠᲘ ᲓᲠᲝᲡᲔᲚᲘᲠᲔᲑᲐ (*ᲘᲮ. ᲯᲝᲣᲚ-ᲗᲝᲛᲡᲝᲜᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ*).

ᲘᲖᲝᲔᲜᲢᲠᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (*ᲘᲮ. ᲓᲐ ᲔᲜᲢᲠᲝᲠᲘᲐ*), �თᲔᲠᲛᲝᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, Რ-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲔᲜᲢᲠᲝᲠᲘᲐ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘᲐ. Ｏ. Ｐ-ᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲐ *ᲐᲓᲘᲐᲑᲐᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ*.

ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲘᲡᲘ (Isoëtes), ᲒᲕᲘᲛᲠᲐᲜᲐᲘᲠᲗᲐ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲘᲖᲝᲔᲢᲔᲡᲘᲡᲔᲑᲠᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲐ. ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲢᲑᲘᲡ ᲤᲡᲙᲘᲠᲗᲖᲔ ᲐᲜ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲢᲔᲜᲘᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ 70-ᲛᲓᲔ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲐᲖᲔ (ᲢᲠᲝᲠᲘᲙᲔᲑᲨᲘ ᲘᲛᲧᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ). ᲡᲡᲠᲙ-ᲘᲡ ᲩᲠᲓ. Ｒ-ᲜᲣᲑᲨᲘ 4 ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲐ. Ｏ-ᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲚᲚᲔ 5—20 *ᲡᲛ* ᲐᲦᲬᲔᲕᲡ. ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲓ ᲐᲜ ᲨᲐᲚᲔᲚᲐᲛᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ.

ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲔᲑᲘ (*ᲘᲮ...* ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜ. thermē — ᲡᲘᲗᲑᲝ), ᲰᲐᲔᲠᲘᲡ, ᲬᲧᲚᲘᲡ, ᲜᲘᲐᲓᲐ�გᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ *ᲘᲖᲝᲮᲐᲖᲔᲑᲘ*. ᲫᲘᲗᲬᲘᲚᲐᲓ ᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚ. ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲨ. ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡ Ｏ-ᲘᲡ ᲠᲣᲯᲐᲡ. Ｏ-ᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲠᲘᲪᲮᲐᲓ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲰᲯᲐᲕᲗ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ (ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ 100 *8*-ᲖᲔ ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲐ ᲡᲐᲨ. 0,6°C-ᲘᲗ ᲔᲪᲛᲔᲓᲐ).

ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲘ (*ᲘᲮ...* ᲓᲐ ᲑᲔᲠᲫᲜ. thermē—ᲡᲘᲗᲑᲝ), ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲐᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ (*ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ*) ᲒᲐᲛᲝᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲠᲘ *ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲐ�გᲠᲐᲛᲐᲖᲔ*. ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲘᲠᲘᲡ Ｏ-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲐᲐ $pV=const$, ᲡᲐᲓᲐᲪ p ᲐᲠᲘᲡ ᲐᲘᲠᲘᲡ ᲬᲜᲔᲕᲐ, V — ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ Ｏ-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲘᲠᲘᲡ Ｏ-ᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲬᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞ-ᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲘᲡᲘ ᲐᲢᲝᲛᲘᲡᲗᲘᲚᲘ, ᲐᲢᲝᲛᲘᲡᲗᲘᲚᲘ, Რ-ᲘᲡ ᲫᲐᲠᲐ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲜᲘᲗ, Რ-ᲘᲪ ᲨᲘ�გᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲔᲑᲘ ᲨᲠᲘᲡ ᲝᲑᲝᲒᲐᲓᲐᲪᲘᲡᲐᲡ ᲬᲚᲣᲓᲐᲕᲡ. ᲫᲐᲠᲐᲡ ᲘᲖᲝᲗᲔᲠᲛᲣᲚᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲝᲒᲐᲓᲐᲪᲘᲡᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲤᲔᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝ

უძლებელს ხდის მათ შორის ამა თუ იმ ხის ურთიერთობას. თუ რა მნიშვნელობა ვს ევოლუციისათვის O-ს, ცხადყო ჩ. ორვინმა, რ-მაც კუნძულების ფლორისა ა ფაუნის შესწავლის საფუძველზე დაადნა, რომ O-ს შეიძლება მოყვეს ახლოლ ორგანიზმებს შორის განსხვავების განა, მათი თანდათან გაღრმავება და ბოოს ბუნებრივი გადარჩევით ახ. სახეობების ფორმირება.

O. გამოიხატება ორგანიზმებს შორის ს თუ იმ სახის ბარიერების არსებობით. ბარიერთა ხასიათის შესაბამისად O-ც ანსხვავებულია. ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი გულისხმობს ორგანიზმთა გამიჯვნას ოგრ. ზღუდეებით, ეკოლ. ფაქტორებით რახელსაყრელი ფიზ.-ქიმ. პირობებით) გაუვალი ბიოცენოზებით. ყველა ბაერი ეკოლოგიურად განსხვავებული ორმებისათვის სხვადასხვა ხარისხითაა იზოლირებელი (სთენობიონტებისათვის ჯრო მეტად, ეყრობიონტებისათვის—ნაებად) და O-ც შეიძლება იყოს სრული არასრული (ფარდობითი). ერთსა და ავე პოპულაციაში მოქმედებს რ ე პ რ ო უ ქ ც ი ო ლ ი O., განპირობებული ორნიზმთა ისეთი თავისებურებებით, ებიც შეუძლებელს ხდის მათ თავისუფალ ჯვარებას; ასეთია მორფოლ. ან ფიზიო შეუსაბამობანი, ეთოლოგიური ანუ ევიოი მომენტები, გენეტ. შეუთავსებობა (ნაყოფიერების დაქვეითება ან ული სტერილობა გამეტებისა ან ქროსომების შეუთავსებლობის შედეგად) და ვ. ამა თუ იმ სახის O. პოპულაციაში შეიება სხვადასხვა ინტენსივობისა იყოს და დეგსაც განსხვავებულს იძლეოდეს. ტეტ. O-ს ა ლ ო პ ა ტ რ ი უ ლ ი სახეობა- წარმოქმნა მოყვება, რეპროდუქციულს — ს ი მ პ ა ტ რ ი უ ლ ი (იხ. *სახეობა- წარმოშობა*). ხანგრძლივად გამიჯნულ რიტორიებზე ხდება სახეობათა მაღალი ნგის ტაქსონებისა და მთელი ფაუნის ფლორის ფორმირებაც. *ლ. ნათაძე.*

ზოლაცია ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი, ელეპოტენციური დანადგარის განსხვავებუ- ელექტრული პოტენციალების ზემოქდების ქვეშ მყოფ ნაწილებს შორის ელექული კონტაქტის წარმოქმნის აცილების მუალება. O-ს ახასიათებს ელექტრული მტკიცე, მოცულობითი და ზედაპირუ ელექტრული წინაღობა, დიელექტრი- ლი დანაკარგი, გვირგვინმედგომა, რება- და ყინვამედეგობა, მექან. სიმტკიცე და სხვ. (იხ. *ელექტროსაიზოლაციო ასალა*). O-თვის *დიელექტრიკებს* შეარჩენ მისი ექსპლუატაციის პირობების ბედვით. მაგ., ელექტრული მანქანების ენერატორების, ძრავების) O-თვის განზღვრელი მნიშვნელობა აქვს ხურებადეგობას (ამ შემთხვევაში მას უმეტესად *რსისაგან* ამზადებენ), საჰაერო *ელექტგადაცემის ხაზების* O-თვის კი — ტენდეგობასა და მექან. სიმტკიცეს (დასამდებლად ხელსაყრელია *ფაიფური* და ნა). რადიოტექ. მოწყობილობებისათ- O-ს ისეთი მასალისაგან ამზადებენ, საც ახასიათებს მინ. დიელექტრიკული ნაკარგები და მაქს. მოცულობითი და დაპირული ელექტრული წინაღობანი. ანსფორმატორებში, ელექტრულ კონსატორებსა და კაბელებში იყენებენ მბინირებულ O-ს, რ-იც შედგება მინერ. თისა და ამ ზეთით გაჟღენთილი ცელუზისაგან (ქაღალდის, ელექტრომუყაოს პრესშპანისაგან).

ზოლაციონიზმი", აშშ-ის საგარეო ლიტიკის გარკვეული მიმართულების ბნიშვნელი ტერმინი. ამ პოლიტიკას ფუძვლად დაედო ევრ. საქმეებში და, ერთოდ, ამერ. კონტინენტს გარეთ სამხ. ნფლიქტებში ჩაურევლობის იდეა -ის" თეორია და პრაქტიკა წარმოიშვა რ კიდევ 1775—83 ჩრდ. ამერიკაში დაუკიდებლობისათვის ომის დროს და ბირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ამერ. კონტინენტის მდებარეობით, საშინაო ბაზრის ტევადობით, აშშ-ის ეკონ. და სამხ. სისუსტით XIX ს. I მეოთხედში; მაგრამ ევროპის მიმართ „O-ის" პოლიტიკა სრულიადაც არ ნიშნავდა აშშ-ის პოლიტ. და ეკონ. იზოლაციას საერთოდ. „O-ის" პრინციპები და მასთან დაკავშირებული მონროს დოქტრინა წარმოადგენდა პანამერიკანიზმის საფუძველს და ნიღბავდა აშშ-ის ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს ლათ. ამერ. ქვეყნებში. 1920 „O-ის" პოლიტიკის გამო აშშ-მა უარი თქვა ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე და ერთა ლიგაში შესვლაზე, გაზარდა ტარიფები, გამოსცა შეზღუდული საიმიგრაციო კანონები. „O-მა" განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო II მსოფლიო ომის წინ, როცა ევრ. საქმეებში ჩაურევლობის ნიღბით ფაშისტი აგრესორების „დასაშოშმინებლად" გამოიცა კანონი ნეიტრალიტეტის (1935—37) შესახებ, რამაც ხელი შეუწყო II მსოფლიო ომის გაჩაღებას. ომის შემდგომ „O-მა" (ტრად. გაგებით) დაკარგა მნიშვნელობა.

XIX ს. მიწურულიდან ტერმინი „O." იხმარებოდა აგრეთვე იმ საზ. მოძრაობის აღსანიშნავად, რ-იც მოითხოვდა აშშ-ის ჩაურევლობას ამერ. კონტინენტს გარეთ ომებში, ე. წ. „მსესების O."

გ. ბოლოთაშვილი.

იზოლეიცინი, α-ა მ ი ნ ო- β-მ ე თ ი ლ- ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ს მ ჟ ა ვ ა, $C_2H_5CH(CH_3)CH(NH_2)COOH$, შედარებით ნაკლებად გავრცელებული *ამინომჟავა*. ადამიანის, ცხოველებისა და მრავალი მიკროორგანიზმების საკვებში O. აუცილებლად უნდა შედიოდეს, ე. ი. O. შეუცვლელ ამინმჟავებს ეკუთვნის.

იზოლირებული ენები, ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ერთ-ერთი ტიპის სახელწოდება. O. ე. უაფიქსო ენებია. სიტყვა მეტწილად ერთი მარცვლისაგან შედგება. საგანთა შორის მიმართებები გამოხატულია არა სიტყვათა ფორმაცვალებით, არამედ წინადადებაში სიტყვათა ადგილმდებარეობით, მახვილით, ინტონაციით, დამხმარე სიტყვების გამოყენებით. ისევე, როგორც სხვა ტიპები, არც O. ე. გვხვდება წმინდა სახით; ზოგ O. ე-ში შეიძლება შეგვხვდეს ფუძის საწარმოებელი (დერივაციული) აფიქსები. O. ე-ს უფორმო ენებსაც უწოდებდნენ, რაც არ არის გამართლებული. O. ე-ია ჩინ., ბირმ., ვიეტნამური.

იზოლირებული კულტურები, მ ც ე ნ ა რ ი ს ი ზ ო ლ ი რ ე ბ უ ლ ი კ ვ ე ბ ა, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და აგროქიმიის ერთ-ერთი მეთოდი, რ-ის საშუალებითაც შეისწავლიან ფესვის გამონაყოფს, ადგენენ საკვები ელემენტების გავლენას მცენარის მიერ სხვა ელემენტების შთანთქმაზე, ამ პროცესზე ტემპ-რის გავლენას და სხვ. O. კ-ის წესით დაკვირვების ჩატარებისას ფესვს ორ ან რამდენიმე ნაწილად ყოფენ და სხვადასხვა შედგენილობის საკვებ ხსნარებში ათავსებენ.

იზოლირებული კუჭი, პ ა ტ ა რ ა კ უ ჭ ი, კუჭი, რ-იც ექსპერიმენტული მიზნებისათვის ოპერაციის გზით (სისხლის მიმოქცევის შენარჩუნებით) გამოცალკევებულია ცხოველის კუჭისაგან ორგანიზმიდან ამოუკვეთლად. ასეთი კუჭის იზოლაცია პირველად შეძლო რ. კლემენსევიჩმა (1875), შემდეგ რ. ჰაიდენჰაინმა (1879). 1894 ი. პავლოვმა შეიმუშავა O. კ-ის მიღების უფრო სრულყოფილი მეთოდიკა. პავლოვის მიხედვით პატარა კუჭის იზოლაციისას იგი სეროზულ-კუნთოვანი გარსებით ინარჩუნებს კავშირს დიდ კუჭთან. რაკი ნერვები დიდი კუჭიდან პატარაზე სეროზულ-კუნთოვანი ხიდაკით გადადის, O. კ-ში შენარჩუნებულია ინერვაცია. პატარა კუჭის იზოლირებისას კეთდება ჯრუ პარკი, რ-ის გამოსავალი ხვრელი ჩაკერებულია კანის ჭრილობაში. O. კ-ში შეიძლება მივიღოთ სუფთა კუჭის წვენი და შევისწავლოთ წვენის სეკრეციის კანონზომიერებანი, კვების ქცევა, სამკურნ. პრეპარატების გავლენა, — ნერვული რეგულაციის მექანიზმები.

იზოლირებული ორგანოები, ორგანიზმისაგან გამოცალკევებული და ხელოვნურ საკვებ არეში (სითხეში) მოთავსებული ორგანოები (კუნთი, ნერვი, ნაწლავი, საშვილოსნო, გული, თავი და სხვ.) ან მათი სისტემები, რ-ებიც დროებით ინარჩუნებენ ძირითად ფუნქციურ თვისებებს. ცენტრ. ნერვული სისტემისაგან ორგანოს სრული იზოლირება ამ ორგანოს ადგილ. სარეგულაციო მექანიზმების გამოკვლევის საშუალებას იძლევა. ცივსისხლიანი ცხოველების O. O-ის ცხოველმყოფელობას შევინარჩუნებთ, თუ მას მოვათავსებთ ფიზიოლ. ხსნარში. თბილსისხლიანთა შემთხვევაში კი საჭიროა O. O-ის პერფუზია ისეთ ფიზიოლ. ხსნარით, რ-იც საკვებო ნივთიერებებს და ჟანგბადს შეიცავს და 37—38°C ტემპ-რა აქვს. O. O. შეიძლება გამოვიყენოთ გადასანერგად (იხ. *ტრანსპლანტაცია*).

იზოლირებული ტვინი (ცხოველის იზოლირებული თავი), ორგანიზმისაგან მთლიანად მოცილებული და მაინც ცხოველმოქმედების უნარის მქონე ტვინი (ან თავი), რ-იც ფიზიოლოგიური მდგომარეობის მსგავს პირობებშია. XX ს. 20-იან წლებში ს. *ბრიუხონენკომ* შექმნა სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატი. ამ ხელსაწყოსთან მიერთებული ძაღლის იზოლირებული თავი რამდენიმე საათის განმავლობაში ინარჩუნებდა ცხოველმოქმედებას. ამერ. ნეიროქირურგმა რ. უაიტმა პირველმა შეძლო მაიმუნის O. ტ-ის მიღება, რ-საც სისხლით ამარაგებდა სპეც. ხელსაწყო ან დონორი. მაიმუნის ასეთი ტვინი ცხოველმოქმედებას ინარჩუნებდა რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში, რაც დასტურდება ალრიცხული ბიოპოტენციალების ხასიათით და ტვინის ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის მდგომარეობით. O.ტ. მნიშვნელოვანი ექსპერ. მოდელია ცენტრ. ნერვული სისტემის ფიზიოლ., ბიოქიმ. და პათოლ. საკითხების შესასწავლად. ბელგ. ნეიროფიზიოლოგმა ფ. ბრემერმა 1937 აღწერა O. ტ-ის ორგვარი პრეპარატი. პირველი — cerveau isole — მიიღება ოთხგორაკის დონეზე წინა და უკანა გორაკებს შორის ტვინის ღეროს გადაჭრით. ასეთ პრეპარატზე ტვინთან კავშირი შენარჩუნებული აქვს მხოლოდ თავის ტვინის სამ ნერვს (ყნოსვის, მხედველობის და თვალის მამოძრავებელს). ამ მეთოდს ახასიათებს ე. წ. ნელი ელექტრული აქტივობა, რაც ცხოველის თვლემის ან ძილის მდგომარეობას შეესაბამება. თუ გადაჭრილია ზურგის ტვინის პირველი სეგმენტის როსტრალური საზღვარი, მიიღება პრეპარატი encephale isole, საიდანაც აღირიცხება სიფხიზლისათვის დამახასიათებელი სწრაფი ელექტრული აქტივობა. თავის „ქცევაც" ამ დროს სიფხიზლის მდგომარეობას ემსგავსება.

იზოლოგიური რიგები (*იზო...* და ბერძნ. lōgos — სიტყვა, რიცხვი, ჯგუფი), ერთნაირი ფუნქციური ჯგუფებისა და ერთნაირი ნახშირბადის ჯაჭვის მქონე ნახშირწყალბადებისა და მათი ნაწარმების ჯგუფები, რ-ებიც ერთმანეთისაგან უჯერობის ხარისხით განსხვავდებიან. იხ. *ჰომოლოგიური რიგები*.

იზომერაზები, ფერმენტები, რ-ებიც აკატალიზებენ მოლეკულაში სხვადასხვა ჯგუფის გადანაცვლებას, მათ შორის იზომერების ურთიერთგარდაქმნის რეაქციებსაც. სტერეოიზომერების ურთიერთგარდამქმნელი O-ია რაცემაზები ანუ ეპიმერაზები, აგრეთვე *ცის-ტრანს*-იზომერაზები, შიგამოლეკულური ოქსიდორედუქტაზები, აგრეთვე ტრანსფერაზები და ლიაზები.

იზომერები, ერთნაირი შედგენილობისა და მოლეკულური მასის მქონე ქიმ. ნაერთები, რ-ებსაც ერთმანეთისაგან აგებულებითა





Ა





Ბ

ᲘᲖᲝᲛᲔᲠᲘᲐ.

და თვისებებით განასხვავებენ. ბირთვული იზომერების შესახებ იხ. *იზომერია.*

ᲘᲖᲝᲛᲔᲠᲘᲐ (*იზო...* და ბერძნ. meros — ნაწილი, წილი) ქიმიური ნაერთებისა, მოვლენა, როდესაც ერთნაირი ატომური შედგენილობისა და მოლეკულური მასის ნივთიერებების განსხვავებული ფიზ. და ქიმ. თვისებები განპირობებულია მოლეკულაში ატომთა სივრცითი განლაგებითა და ბმების თანამიმდევრობით. ასეთ ნაერთებს იზომერები ეწოდება. Ი. აღმოაჩინა 1823 ი. *ლიებიხმა*, რ-მაც დაასაბუთა, რომ მგრგვინავი მჟავას ვერცხლის მარილს Ag—O—N=C და ვერცხლის იზოციანატს Ag—N=C=O ერთი და იგივე შედგენილობა, მაგრამ სრულიად განსხვავებული თვისებები აქვთ. ტერმინი „Ი." შემოიღო ი. *ბერცელიუსმა* 1830. განსაკუთრებით არის გავრცელებული Ი. ორგ. ნაერთებში. Ი-ის არსი იქნა ახსნილი XIX ს. 60-იან წლებში ა. *ბუტლეროვის* მიერ შემუშავებული ქიმ. აგებულების თეორიით.

არსებობს Ი-ის ორი ძირითადი სახე: სტრუქტურული და სივრცითი (სტერეოიზომერია).

სტრუქტურული Ი. იყოფა რამდენიმე ნაირსახეობად: ჩონჩხური, მდებარეობის და სხვ. . ჩონჩხური Ი-თვის დამახასიათებელია ძოლეკულის ჩონჩხის წარმომქმნელ ატომებს შორის ბმების სხვადასხვა თანამიმდევრობა. მაგ., არაციკლური ნაჯერი ნახშირწყალბადების შემთხვევაში ასეთი სახის Ი. იწყება ჰომოლოგიური რიგის მე-4 წევრიდან. მაგ., ბუტანს აქვს ორი იზომერი: *ნ*-ბუტანი (I) და იზობუტანი (II), პენტანს—სამი: *ნ*-პენტანი (III), იზოპენტანი (IV) და ნეოპენტანი (V):



$C_{20}H_{42}$ ნახშირწყალბადს გააჩნია 366 319 იზომერი. მდებარეობის Ი. განპირობებულია ერთნაირი ნახშირბადის ჩონჩხის მქონე მოლეკულებში რეაქციისუნარიანი ჯგუფების (ფუნქციური ჯგუფები, ჩამნაცვლებლები) სხვადასხვანაირი მდებარეობით. მაგ., ბოპანს შეესაბამება ორი იზომერული სპირტი: *ნ*-პროპილის (VI) და იზოპროპილის (VII):



VI VII

მდებარეობის Ი-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არომატული ნაერთებისათვის, რ-ებშიც ჩამნაცვლებლების მდგომარეობა ბენზოლის ბირთვში განსაზღვრავს ნივთიერების რეაქციის უნარს. მაგ., *ო*-დინიტრობენზოლი (VIII) და *პ*-დინიტრობენზოლი (IX) ადვილად ურთიერთქმედებენ ამიაკთან, მაშინ როცა *მ*-დინიტრობენზოლი (X) ამიაკთან არ ურთიერთქმედებს.



VIII IX X

უჯერი რიგის ნახშირწყალბადებში მდებარეობის Ი. გამოწვეულია უჯერი კავშირების სხვადასხვანაირი მდებარეობით. მაგ., ბუტენ-1 (XI) და ბუტენ-2 (XII):



XI



XII

სტრუქტურული Ი-ის განსაკუთრებული სახეა ტავტომერია (წონასწორული დინამიკური Ი.) — წონასწორულ მდგომარეობაში მყოფი სტრუქტურული იზომერების არსებობა. ამ სახის იზომერების ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს აცეტ-ძმარმჟავა ეთილის ეთერი წარმოადგენს, რ-საც ერთსა და იმავე დროს შეუძლია არსებობა და რეაგირება როგორც ტიპურ კეტონს (XIII), ისე უჯერ ენოლურ სპირტს (XIV), რ-შიც ჰიდროქსილის ჯგუფი იმყოფება ორმაგი ბმით დაკავშირებულ ნახშირბად ატომთან.

XIII XIV

სივრცითი Ი. ცნობილია გეომეტრიული Ი-ისა (ანუ *ცის-ტრანს* Ი.) და ოპტიკური Ი-ის სახელწოდებით. გეომეტრიული Ი-ის დროს ადგილი აქვს ატომების ან ატომთა ჯგუფების განსხვავებულ მდებარეობას სივრცეში. მაგ, მალეინისა (*ცის*-Ი.) (XV) და ფუმარის (*ტრანს*-Ი.) (XVI) მჟავები:



XV XVI

ოპტიკური Ი. უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია მოლეკულაში ე. წ. *ასიმეტრიული ატომის* (ნახშირბადატომის) არსებობით ანუ ისეთი ატომისა, რ-იც თავისი ოთხივე ბმით დაკავშირებულია განსხვავებული ელემენტების ატომებთან ან ატომთა ჯგუფებთან. ამგვარი ოპტიკური იზომერების მარტივ მაგალითს, რ-ებიც შეუთავსებელნი არიან თავიანთ სარკულ გამოსახულებასთან, წარმოადგენს რძემჟავა: $CH_3C^*H(OH)COOH$. მათ ჩვეულებრივ უწოდებენ ენანტიომერებს ანუ ოპტიკურ ანტიპოდებს (ბერძნ. enantio — ურთიერთსაწინააღმდეგო). მათთვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ფიზ. თვისებები, გარდა წრფივად პოლარიზებული სინათლის პოლარიზაციის სიბრტყის მობრუნების კუთხის მიმართულებისა. განსხვავებულ თვისებებს ისინი ამჟღავნებენ მხოლოდ ოპტიკურად აქტიური რეაგენტების თანაობისას. ოპტიკურად აქტიურ მოდიფიკაციებს, რ-ებიც შეიცავენ ორთავე ანტიპოდის ტოლ რაოდენობებს, უწოდებენ რაცემატებს. ისინი ოპტიკურ აქტივობას არ ამჟღავნებენ იმის გამო, რომ მათში სინათლის პოლარიზაციის სიბრტყის ჯგაზური მობრუნების კუთხე ნულის ტოლია. ოპტიკური იზომერების არსებობა მხოლოდ ასიმეტრიული ნახშირბადატომის შემცველ ნაერთებს არ ახასიათებს. თუ ნივთიერების მოლეკულას სიმეტრიის სიბრტყე არ გააჩნია, მაშინ ის ოპტიკურად აქტიური იქნება (მაგ., ალენური, ციკლური და სხვ. ნაერთები).

ბრუნვითი Ი. განპირობებულია მოლეკულაში ატომების ან ატომთა ჯგუფების შეზღუდული ბრუნვით ნახშირბად-ნახშირბად ატომების მარტივი ანუ ორდინარული ბმის ირგვლივ.

იმ გეომ. ფორმებს, რ-ებსაც იღებს მოლეკულა ბრუნვის შედეგად, ეწოდება კონფორმაციები, ხოლო შესაბამის სტრუქტურებს—კონფორმერები (კონფორმაციული ანუ ბრუნვითი Ი.). თეორიულად მოლეკულას შეუძლია მიიღოს უთვალავი კონფორმაცია, რეალურად კი მხოლოდ ენერგეტიკულად ხელსაყრელი კონფორმაციები არსებობს. ხელსაყრელი კონფორმაციების არსებობას განაპირობებს იმ ატომების ან ატომთა ჯგუფების ურთიერთქმედება მოლეკულაში, რ-ებიც არ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან ვალენტურად. მაგ., ეთანის ყველა შესაძლო კონფორმაციიდან ენერგეტიკულად ყველაზე ხელსაყრელია დამუხრუჭებული კონფორმაცია (ა), ნაკლებ — დაჩრდილული (ბ); (ა) და (ბ) კონფორმაციებს შორის ენერგიის სხვაობაა 11,7 *კჯ/მოლ* (2,8 *კკალ/მოლ*); ეს ერთმანეთში გადასვლის ენერგეტიკული ბარიერია. CH_3 ჯგუფების ერთმანეთის მიმართ 360° შემობრუნებისას ეთანის მოლეკულა სამჯერ იღებს (ა) და (ბ) კონფორმაციას. კონფორმაციული მდგომარეობის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ფიზ.-ქიმ. თვისებებისა და რეაქციისუნარიანობის შესაწავლად (*იხ. კონფორმაციული ანალიზი*).

ლიტ.: Илиел Э., Стереохимия соединений углерода, пер. с англ., М., 1965; Терентьев А. П., Потапов В. М., Основы стереохимии, М.—Л., 1964.

ᲘᲖᲝᲢᲝᲠᲘᲐ ბირთვული, ზოგიერთი ატომის ბირთვისათვის მეტასტაბილური მდგომარეობების (შედარებით დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობის მქონე აგზნებული მდგომარეობების) არსებობა. ზოგიერთ ბირთვს აქვს სხვადასხვა სიცოცხლის ხანგრძლივობის რამდენიმე იზომერული მდგომარეობა. ბირთვების Ი-ის ცნება წარმოიშვა 1921, როცა გერმ. ფიზიკოსმა ო. ჰანმა აღმოაჩინა რადიოაქტ. ნივთიერება ურანი Z(UZ), რ-იც როგორც ქიმ. თვისებებით, ისე მასური რიცხვით არ განსხვავდებოდა იმ დროისათვის ცნობილი UX_2 ურანისაგან. უფრო მოგვიანებით დადგინეს, რომ UZ და UX_2 ერთი და იმავე ^{234}Pa იზოტოპის სხვადასხვა ენერგიისა და ნახევრად დაშლის პერიოდის მქონე ორი მდგომარეობაა. იზომერული ორგ. ნაერთების ანალოგიურად UZ და UX_2 ბირთვული იზომერები უწოდეს.

ᲘᲖᲝᲛᲔᲢᲠᲘᲖᲛᲘ (*იზო...* და ბერძნ. metreo — საზომი; თანაბარსაზომიანი), სალექსო სტრიქონებში *მორანა* რიცხვის თანაბარი განაწილება, როცა გრძელი მარცვალი პირობითად ორ მორას უტოლდება, ხოლო მოკლე — ერთს. Ი-ის შემთხვევაში აუცილებელი არაა სტრიქონებში მარცვალთა განაწილება თანაბარი იყოს. იმ ენებში, სადაც გრძელი და მოკლე ხმოვნები ფონეტიკურად გარჩეულია არაა, სალექსო სტრიქონებში Ი-ის საკითხი არც დაისმის.

ᲘᲖᲝᲛᲝᲠᲤᲘᲖᲛᲘ (*იზო...* და ბერძნ. morphō — ფორმა), ქიმიურ ელემენტთა თვისება ჩაენაცვლონ ერთმანეთს კრისტალების სტრუქტურაში. თავდაპირველად (1819) გერმ. მინერალოგმა ე. მიჩერლიხმა Ი. უწოდა ერთმანეთის მსგავსი ქიმ. შედგენილობის კრისტ. ნივთიერებათა მიერ მსგავსი კრისტალების წარმოქმნის უნარს, რაც ამ ნივთიერებათა შერეულ კრისტალთა წარმოქმნასაც განაპირობებს. Ი-ს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ატომთა ან მათ იონთა თვისებების მსგავსება (ზომა, გარეგანი ელექტრონული გარსის აგებულება, იონიზაციის პოტენციალი), წარმოქმნილი ნაერთის ხასიათი (მასში სხვადასხვა ატომთა რაოდენობრივი შეფარდება, ქიმ. კავშირების ტიპი და აგებულება) და თერმოდინ. პირობები (ტემპ-რა, წნევა). Ი. ხშირად განსაზღვრავს ბუნებრივ შენაერთთა რთულ შედგენილობასა და ელემენტთა პარაგენეზისს ერთი შენაერთის ფარგლებში. Ი. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედამიწის ქერქში ელემენტთა მიგრაციის პროცესში.

დ. შენგელია.

ᲘᲖᲝᲛᲝᲠᲤᲘᲖᲛᲘ მათემატიკაში, თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნება, რ-საც თავდაპირველად ისეთი ალგებრული წარმონაქმნე-

ბის შესასწავლად იყენებდნენ, როგორიცაა *ჯგუფი, რგოლი, ველი* და ა. შ., ხოლო შემდეგ არსებითი გახდა მათ. ყოველი დარგის სტრუქტურის საერთო გაგებისა და გამოყენების სფეროს დადგენისათვის.

Ი-ის ცნება შეეხება ობიექტთა ისეთ სისტემებს, რ-ებშიც მოცემულია რაიმე ოპერაციები ან მიმართებანი. იზომორფული სისტემების მარტივი მაგალითია ყველა ნამდვილ რიცხვთა R სისტემა მასში მოცემული $x=x_1+x_2$ შეკრების ოპერაციით და ყველა დადებით რიცხვთა P სიმრავლე მასში მოცემული $y=y_1 \cdot y_2$ გამრავლების ოპერაციით. შეიძლება დავასაბუთოთ, რომ რიცხვთა ამ ორი სისტემის შინაგანი „მოწყობილობა" სრულიად ერთნაირია. ამისათვის საკმარისია R სისტემა ავსახოთ P სისტემაში ისე, რომ R სისტემის ყოველ x რიცხვს შეეუსაბამოთ $y=a^x (a>1)$ რიცხვი P სისტემიდან. მაშინ $x=x_1+x_2$ ჯამს შეესაბამება $y=y_1 y_2$ ნამრავლი, სადაც $y_1=a^{x_1}$ და $y_2=a^{x_2}$. შესაბამისად, x_1 და x_2 რიცხვების ანასახებია. ამასთან, P სისტემის შებრუნებულ ასახვას R სისტემაში აქვს შემდეგი სახე: $x=\log_a y$.

Ი-ის ზოგადი განსაზღვრა ასეთია: ვთქვათ, მოცემულია ორი სისტემა S და S', ამასთან, პირველში განსაზღვრულია $F_k (x_1, x_2,\ldots)$, $k=1,2,\ldots, n$, მიმართება, ხოლო მეორეში $F_k'(x'_1, x'_2,\ldots)$, $k=1, 2,\ldots, n$; ზემოაღნიშნული მიმართებების მქონე S და S' სისტემებს ეწოდება იზომორფული, თუ არსებობს მათ შორის ისეთი ურთიერთცალსახა შესაბამისობა φ, რომ ყოველი k-სათვის, თუ S სისტემაში მართალია (ყალბია) $F_k(x_1, x_2,\ldots)$ წინადადება, მაშინ S' სისტემაში მართალია (ყალბია) $F_k'\varphi(x_1), \varphi(x_2),\ldots]$ წინადადება და პირიქით. თვით φ შესაბამისობას ეწოდება იზომორფული ასახვა ან Ი. ზემოთ განხილულ მაგალითში R სისტემის ქვეშ იგულისხმება ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე მასზე განსაზღვრული $x_3=x_1+x_2$ მიმართებით, ხოლო P სისტემის ქვეშ — დადებით ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე მასზე განსაზღვრული $y_3=y_1 \cdot y_2$ მიმართებით. ურთიერთცალსახა შესაბამისობა მოცემული იყო ფორმულით $y=a^x$.

Ი-ის კერძო შემთხვევაა ა ვ ტ ო მ ო რ ფ ი ზ მ ი. ეს არის S სისტემის ისეთი ურთიერთცალსახა ასახვა თავის თავზე, როცა ყოველი k-თვის, თუ მართალია (ყალბია) წინადადება $F_k (x_1, x_2 \ldots,)$ მაშინ, მართალია (ყალბია) აგრეთვე $F_k[\varphi(x_1), \varphi(x_2),\ldots]$ წინადადება.

ᲘᲖᲝᲜᲘᲢᲠᲘᲚᲔᲑᲘ, კ ა რ ბ ი ლ ა მ ი ნ ე ბ ი, ი ზ ო ც ი ა ნ ი დ ე ბ ი, ორგანული ნაერთები; ზოგადი ფორმულაა $R-\overset{+}{N}\equiv C$; *ნიტრილების* (ციანმჟავა ეთერები, $R-C\equiv N$) სტრუქტურული იზომერები; უფერული ცუდი სუნის მქონე ტოქსიკური სითხეები. წყალში უხსნარი, აპირტსა და ეთერში კი — ხსნადი. მდგრადებია ტუტეთა მოქმედების მიმართ; განხავებულ მჟავებთან მოქმედებისას სწრაფად ჰიდროლიზდებიან, ვერცხლისწყლის ანგით იჟანგებიან *იზოციანატებად*, გოგირდის მოქმედებით კი *იზოთიოციანატებად* გარდაიქმნებიან და ა. შ. Ი-ს ღებულობენ ქლოროფორმისა ($CHCl_3$) და პირველადი ამინის (RNH_2) ნარევის ურთიერთქმედებით ტუტის სპირტხსნართან. ზოგიერთ Ი-ს იყენებენ აზოტშემცველი ნივთიერების სინთეზისათვის. Ი. აღმოჩენილია ა. *ჰოფმანის* მიერ 1866.

ᲘᲖᲝᲝᲥᲢᲐᲜᲘ, 2, 2, 4-ტ რ ი მ ე თ ი ლ პ ე ნ ტ ა ნ ი, $C(CH_3)_3-CH_2-CH(CH_3)_2$, ალიფატური რიგის ნაჯერი ნახშირწყალბადი. Ი. ბენზინის სუნის მქონე გამჭვირვალე უფერული სითხეა; $t_{\text{დნ}}$—107,38°C, $t_{\text{დუღ}}$ 99,24°C, სიმკვრივე 691 92 *კგ/მ*³ (20°C). წყალში უხსნარია, ხსნადია ორგ. გამხსნელებში; წარმოქმნის აზეოტროპულ ნარევებს, მაგ., ბენზოლთან, მეთილისა და ეთილის სპირტებთან. Ი-ის ანტიდეტონაციური თვისებები მიღებულია ე. წ. *ოქტანური რიცხვების* სკალის 100 ერთეულად.

მრეწველობაში Ი-ს იღებენ დიიზობუტილენის კატალიზური ჰიდრირებით ან იზობუტილენით იზობუტანის ალკილირებით კონცენტრირებული გოგირდმჟავას და კატალიზატორების თანაობისას. Ი-ს იყენებენ დანამატად მაღალი ანტიდეტონაციური თვისებების მქონე საავიაციო ბენზინის წარმოებაში.

ლიტ.: Химия углеводородов нефти, пер. с англ., М., 1958.

ᲘᲖᲝᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, *ვარიაციათა აღრიცხვის* ამოცანათა კლასი. უმარტივესი Ი. ა-ები (პოვნა მოცემული პერიმეტრის უდიდესი ფართობის მქონე მრავალკუთხედისა, მოცემული სიგრძის ჩაკეტილი წირისა, რ-ითაც უდიდესი ფართობია შემოსაზღვრული, მოცემული ფართობის ჩაკეტილი ზედაპირისა, რ-ითაც უდიდესი მოცულობაა შემოსაზღვრული და ა. შ.) ჯერ კიდევ ძვ. ბერძენი მათემატიკოსებისათვის იყო ცნობილი. მაგრამ Ი. ა-ის ზოგადი შესწავლა მხოლოდ 1697-ᲬᲚᲘᲡ დაიწყო, როდესაც იაკობ *ბერნულიმ* გამოაქვეყნა თავის მიერ დასმული და ნაწილობრივ ამოხსნილი შემდეგი Ი. ა.: მოცემული სიგრძის ყველა წირს შორის მოვძებნოთ ის, რ-ისთვისაც წირზე დამოკიდებულ რომელიღაც სიდიდეს მაქს. ან მინ. მნიშვნელობა აქვს. მაგ., მოცემული სიგრძის ყველა ჩაკეტილ ბრტყელ წირს შორის უდიდეს ფართობს წრეწირი შემოსაზღვრავს. Ი. ა-ის სისტემ. გამოკვლევა პირველად ლ. *ეილერმა* დაიწყო (1732).

ლიტ.: Лаврентьев М. А., Люстерник Л. А., Курс вариационного исчисления, 2 изд., М.—Л., 1950.

ᲘᲖᲝᲞᲠᲔᲜᲘ, 2-მ ე თ ი ლ ბ უ ტ ა დ ი ე ნ ი-1,3, $CH_2=C(CH_3)-CH=CH_2$, ალიფატური რიგის უჯერი ნახშირწყალბადი. Ი. უფერული, მოძრავი, ადვილადაქროლადი, წვადი სითხეა, აქვს დამახასიათებელი სუნი; $t_{\text{დნ}}$ — 145,95°C, $t_{\text{დუღ}}$ 34,067°C, სიმკვრივე 681 *კგ/მ*³ (20°C). წყალში უხსნარი. კარგად იხსნება ნახშირწყალბადური გამხსნელების უმრავლესობაში. წარმოქმნის აზეოტროპულ ნარევებს მეთილის ან ეთილის სპირტთან, აცეტონთან, დიეთილის ეთერთან, გოგირდნახშირბადთან და ა. შ. აგრეთვე Ი. ადვილად ერთვებს წყალბადს, ჰალოგენებს, ჰალოგენწყალბადებს, პირველადსა და მეორეულ ამინებს და სხვ. Ი. ადვილად შედის პოლიმერიზაციისა და თანაპოლიმერიზაციის რეაქციებში ბუტადიენთან, სტიროლთან, აკრილონიტრილთან, პროპილენთან და სხვ.

Ი-ის მიღების რამდენიმე ხერხი არსებობს, მაგ., იზოამილენებისა ან იზოპენტანის დეჰიდრირება და სხვ.

Ი-ს თვითპოლიმერიზაციის თავიდან ასაცილებლად ინახავენ ინჰიბიტორებთან, მაგ., ჰიდროქინონთან ერთად. Ი. მაღალი კონცენტრაციისას მოქმედებს როგორც ნარკოტიკი, მცირე კონცენტრაციისას კი ლორწოვან გარსს აღიზიანებს. Ი-ის ზღვრული დასაშვები კონცენტრაციაა ჰაერში 40 *მგ/მ*³. Ი-ს იყენებენ იზოპრენული კაუჩუკისა და ბუტილკაუჩუკის წარმოებაში.

ᲘᲖᲝᲡᲔᲘᲡᲢᲔᲑᲘ (იზო... და ბერძნ. seistos — რხევადი), ერთნაირი ინტენსივობის მიწისძვრების *იზოხაზები*.

ᲘᲖᲝᲡᲘᲚᲐᲑᲘᲖᲛᲘ (ბერძნ. isosyllabia—თანაბარმარცვლიანობა), სილაბური და სილაბურ-ტონური ლექსთწყობის სისტემებში მარცვალთა თანაბარი განაწილება სალექსო სტრიქონებში.

ᲘᲖᲝᲡᲢᲐᲖᲘᲐ, ი ზ ო ს ტ ა ტ ი კ უ რ ი წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა (ბერძნ. isostasios—თანაბარი წონისა), *დედამიწის ქერქის* გაწონასწორება მის ქვეშ მდებარე მყარსა და უფრო მძიმე სუბსტრატზე ისე, თითქოს ის არქიმედეს კანონის თანახმად ტივტივებდეს. Ი-ის გამო დედამიწის ქერქი მით უფრო ღრმად არის ჩაძირული სუბსტრატში, რაც უფრო სქელი და მკვრივია (მძიმეა) ქერქი. ამიტომ მთებს, ჩვეულებრივ, აქვს „ფესვები" (ქერქის შვერილები სუბსტრატში). Ი., როგორც წესი, ხორციელდება არა დედამიწის ქერქის ნებისმიერ მცირე მონაკვეთზე, არამედ რეგიონულად, საკმაოდ მოზრდილ (100—200 *კმ* სიგანის) ბლოკებზე. Ი. გამოვლინდება *შვეულის გადახრაზე* დაკვირვებით, სეისმური მეთოდებით დედამიწის ქერქის სისქის გაზომვითა და უმთავრესად სიმძიმის ძალის ანომალიების (იხ. *გრავიმეტრია*) განსაზღვრით. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დედამიწის ქერქი თითქმის ყველგან მიახლოებულია სრულ Ი-სთან და მნიშვნელოვან გადახრას მხოლოდ ინტენს. ტექტონ. მოძრაობათა არეებში ვხვდებით. ასე, მაგ., მეტად დიდი უარყოფითი იზოსტატიკური ანომალიებია ოკეანური ღარების გასწვრივ (იხ. *ღრმა ზღვის ღარები*). Ი. სწრაფად მყარდება. მაგ., უკანასკნელი გამყინვარების დროს ბალტიისა და კანადის ფარები დაძირული იყო ყინულის სიმძიმით (თანამედროვე გეოლ. ეპოქაში ანალოგიურ მდგომარეობაშია ანტარქტიდა და გრენლანდია), ყინულის მოდნობის კვალდაკვალ მიმდინარეობს ამ რეგიონების აზევება წელიწადში რამდენიმე *მმ* სიჩქარით (ბალტიის ფარის არეში აზევების თანამედროვე სიჩქარეა 11 *მმ* წელიწადში). დედამიწის ქერქის მისწრაფება წონასწორობისაკენ დიდ როლს თამაშობს გეოტექტონიკაში, იგი ზღუდავს ტექტონ. მოძრაობებს, რ-ებიც არღვევენ Ი-ს.

ლიტ.: ბ ა ლ ა ვ ა ძ ე Თ ბ., გრავიმეტრიის კურსი, თბ., 1973; А р т е м ь е в М. Е., Изостазия территории СССР, М., 1975.

ᲘᲖᲝᲢᲝᲜᲣᲠᲘ ᲮᲡᲜᲐᲠᲔᲑᲘ (იზო... და ბერძნ. tonos — ძაბვა), ხსნარები, რ-თაც თანაბარი ოსმოსური წნევა აქვთ; ბიოლოგიასა და მედიცინაში — ბუნებრივი და ხელოვნური ხსნარები, რ-თაც ისეთივე ოსმოსური წნევა აქვთ, როგორიც ცხოველთა და მცენარეთა უჯრედის შიგთავსს, სისხლსა და ქსოვილურ სითხეს. როგორც წესი, Ი. ხ. თავისი შედგენილობით და კონცენტრაციით ზღვის წყლის მსგავსია. თბილსისხლიანებისათვის იზოტონურია სუფრის მარილის 0,9%-იანი და გლუკოზის 4,5%-იანი ხსნარები, ცივსისხლიანებისათვის კი — სუფრის მარილის 6,5%-იანი ხსნარი. ისეთ Ი. ხ-ს, რ-ებიც თავისი შედგენილობით, რეაქციით, ბუფერული თვისებებით და სხვ. სისხლის პლაზმის მსგავსია, ფიზიოლ. ხსნარებს უწოდებენ.

ᲘᲖᲝᲢᲝᲞᲔᲑᲘ (იზო... და ბერძნ. topos—ადგილი), ქიმიური ელემენტის სახესხვაობები, რ-ებსაც მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში ერთი და იგივე ადგილი უკავიათ, მაგრამ განსხვავდებიან ატომთა მასებით. მათ პროტონების (p) ერთნაირი რაოდენობა აქვთ, ხოლო ნეიტრონებისა (n) — სხვადასხვა.

პროტონებისა და ნეიტრონების საერთო რიცხვს რომელიმე ბირთვში ეწოდება მასური რიცხვი. მას უწერენ ელემენტის სიმბოლოს ზედა ნაწილთან; მაგ., $^{238}_{92}U$ (ე. ი. ურანის ბირთვი, რ-იც შეიცავს 92 პროტონს და 238—92=146 ნეიტრონს).

ბუნებაში არსებული ელემენტების უმრავლესობა რამდენიმე Ი-გან შედგება, თუმცა ისეთი ელემენტებიც არსებობს, რ-ებსაც თითო Ი. აქვთ (მაგ., $^{23}_{11}Na$ ან $^{197}_{79}Au$ და სხვ.). მდგრადი Ი-ის ყველაზე მეტი რაოდენობა (10) აქვს კალას.

განასხვავებენ სტაბილურ (მდგრად) და რადიოაქტ. Ი-ს; მაგ., ბუნებრივი წყალბადი შეიცავს 2 მდგრად ^1_1H და $^2_1H(D)$ და ერთ რადიოაქტიურ (^3_1H ანუ T) Ი-ს. ყველაზე უფრო მსუბუქი რა-



იზოპერიმეტრული ამოცანის მაგალითი. A და B წერტილებზე გამავალი მოცემული l სიგრძის წირთა შორის უნდა მოიძებნოს ისეთი წირი, რომლისთვისაც მრუდწირული ტრაპეციის ფართობი (ნახაზზე დაშტრიხულია) უდიდესი იქნება. მრუდწირული ტრაპეციის ფართობი ტოლია $\int_{x_0}^{x_1} y dx$ (1), ხოლო რკალის სიგრძე $l=\int_{x_0}^{x_1}\sqrt{1+y'^2}\, dx$ (2). ამგვარად, ამოცანა დაიყვანება (1) ინტეგრალის უდიდესი მნიშვნელობის პოვნაზე (2) პირობის არსებობისას. ირკვევა, რომ საძიებელი წირი წრეწირის რკალია.

იზომერი ლები	$t_{\text{დნ}}$(°C)	სიმკვრივე *კგ/მ*³(t°C)
მეთილიზოციანიდი CH_3NC	59,6	756(7°)
ეთილიზოციანიდი C_2H_5NC	79,0	744(25°)
იზოპროპილიზოციანიდი C_3H_7NC	87,0	760(0°)
ფენილიზოციანიდი C_6H_5NC	78 (40 *მმ* ვწყ. სვ.)	975(20°)

ᲘᲖᲝᲜᲘᲢᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

იზოტოპური ინდიკატორები. ნახ. 1. სტრონციუმისა და ფოსფორის რადიოაქტიური იზოტოპების დაგროვება ძვლებში. ^{89}Sr უმთავრესად თვით ძვალში გროვდება, ^{32}P—ძვლის ტვინში.



იზოტოპური ინდიკატორები. ნახ. 4. ცდის სქემა, რომლითაც შეისწავლეს არაქისის ფესვისა და ნაყოფის მიერ რადიოაქტიური იზოტოპების შთანთქმა: 1-არე ფესვებისათვის; 2-არე ნაყოფისათვის.



ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.

იზოქორა გამოსახავს აირის მოცემული m მასის p წნევის დამოკიდებულებას t (ან T) ტემპერატურაზე მუდმივი V მოცულობის დროს (შარლის კანონი). როცა ტემპერატურა ცელსიუსის სკალითაა გაზომილი, ეს დამოკიდებულება გამოისახება $p_t=p_0(1+\beta_p t)$ ფორმულით (ნახ. 1.), ხოლო როცა კელვინის სკალითაა გაზომილი, მაშინ $p_T = p_0\beta_p T$ ფორმულით (ნახ. 2.). იგივე დამოკიდებულება pV დიაგრამაზე p ღერძის პარალელური წრფით გამოისახება (ნახ. 3.).

დიოაქტ. O., რ-იც დედამიწის წარმოშობასთან ერთად წარმოიშვა, აქვს კალიუმს ($^{40}_{19}K$), ყველაზე მძიმე — ურანს ($^{238}_{92}U$). სხვა მსუბუქ ელემენტებსაც აქვთ რადიოაქტ. O. ასეთი O-ის არსებობა განსაკუთრებით დამახასიათებელია მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემის VI და VII პერიოდის ელემენტებისათვის. იმ ელემენტებს კი, რ-თა რიგითი ნომერია 84 ან ამაზე მეტი ($_{84}P_o$ და სხვ.), საერთოდ არა აქვთ მდგრადი O. მათი ბუნებრივი და ხელოვნური O. ყველა რადიოაქტიურია.

მდგრადი (სტაბილური) O., რ-ებისგანაც შედგება ჩვენს გარშემო არსებული ბუნება, რადიოაქტიურ დაშლას არ განიცდიან. რადიოაქტ. O-თვის კი დამახასიათებელია სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა (რ-იც დიდ ფარგლებში იცვლება); ზოგიერთი ბირთვისათვის იგი წამის მემილიარდედია (მაგ., $^{208}_{81}Te$), ზოგიერთისათვის კი რამდენიმე მლრდ. წელიწადია (მაგ., $^{238}_{92}U$).

O-ს ამჟამად ხელოვნურად ღებულობენ. მდგრადსა და რადიოაქტ. O-ს იყენებენ *იზოტოპურ ინდიკატორებად*. რადიოაქტ. O-ს ხმარობენ აგრეთვე გამოსხივებისა და ენერგიის წყაროდ. მედიცინასა და ტექნიკაში გამოსხივების წყაროდ იყენებენ $^{60}_{27}Co$ და $^{137}_{55}Cs$, თანამგზავრებში—$^{238}_{94}Pu$. ამჟამად განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთ O-ს (ბირთვული საწკავი — $^{235}_{92}U$ და $^{239}_{94}Pu$). დიდად პერსპექტიულია ტრანსურანული ელემენტების ზოგიერთი O-ის პრაქტ. გამოყენება.

ლიტ.: Астон Ф. В., Масс-спектры и изотопы, пер. с англ., М., 1948; Кравцов В. А., Массы атомов и энергии связи ядер, М., 1965.

იზოტოპების განცალკევება, მოცემული ელემენტის იზოტოპების ნარევიდან სუფთა იზოტოპების გამოყოფა ან ნარევის გამდიდრება ცალკეული იზოტოპებით. ფიზ.-ქიმ. თვისებებს შორის მცირე განსხვავება, რაც გამოწვეულია იზოტოპების ატომთა მასების სხვაობით, იზოტოპურ ეფექტებს უწოდებენ. ამ განსხვავებათა საფუძველზე შესაძლებელია O. გ. (მაგ., *დიფუზიის*, *თერმოდიფუზიის*, *იზოტოპური მიმოცვლის* და სხვ. მეშვეობით). O. გ-ის მეთოდებს შორის საწარმოო მნიშვნელობა ენიჭება დიფუზიის მეთოდს [რ-ის მეშვეობით ხდება ურანის მსუბუქი ($^{235}_{92}U$) და მძიმე ($^{238}_{92}U$) O. გ.], აგრეთვე ადსორბციის, დისტილაციის (რექტიფიკაციის), იზოტოპური მიმოცვლისა და ელექტროლიზის პროცესებს, რ-თა დახმარებით წარმოებს წყალბადის მძიმე O. გ. მსუბუქი იზოტოპისაგან. ამჟამად განხორციელებულია სხვა იზოტოპების (ჟანგბადი, აზოტი, ლითიუმი, ბორი და სხვ.) საწარმოო განცალკევებაც.

განცალკევების ხარისხი თითოეულ (i-ურ) საფეხურზე ხასიათდება განცალკევების კოეფიციენტით: $\alpha = X_i/Y_i$, სადაც X_i არის მოცემული იზოტოპის ფარდობითი კონცენტრაცია ამ საფეხურის გამდიდრებულ ნაკადში, ხოლო Y_i—მისი კონცენტრაცია გაღარიბებულ ნაკადში: $X_i=x_i/(1-x_i)$, $Y_i=y_i/(1-y_i)$, x_i და $1-x_i$ არის საჭირო და უკუსაგდები იზოტოპების ატომური წილი გამდიდრებულ ნაკადში, y_i და $1-y_i$—სათანადოდ მათი ატომური წილი გაღარიბებულ ნაკადში.

O. გ-ისას ქიმ. შიმოცვლის რეაქციის გამოყენებით განცალკევების კოეფიციენტი გამოისახება მიმოცვლის რეაქციის მუდმივების საშუალებით. ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ უმთავრესად მცირე მოლეკულური მასის O. გ-თვის.

წყალბადის იზოტოპებს აცალკევებენ ელექტროლიზის საშუალებითაც (კინეტიკური მეთოდი). ეს მეთოდი ემყარება იმ ფაქტს, რომ მძიმე წყლის (D_2O) ელექტროლიზი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მსუბუქისა (H_2O). ბოლო დროს წყალბადის O. გ-ის პერსპექტიულ მეთოდად მიჩნეულია ქრომატოგრაფიული გაყოფა დაბალ ტემპ-რაზე. ამ შემთხვევაში O. გ. ხორციელდება იმის გამო, რომ ადსორბციისა და დესორბციის პროცესების სიჩქარეები იზოტოპების მასათა ფარდობაზეა დამოკიდებული.

დიდად პერსპექტიულია იზოტოპების ლაზერული განცალკევების მეთოდი. ცნობილია, რომ ერთი და იმავე ელემენტის სხვადასხვა იზოტოპისათვის ქიმ. კავშირებს აქვთ ე. წ. იზოტოპური წანაცვლების უნარი, ე. ი. იზოტოპების ქიმ. კავშირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენერგეტიკულად. ლაზერული ტექ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელი გახდა მძლავრი ლაზერული გამოსხივების გამოყენებით იზოტოპების ქიმ. კავშირების შერჩევითი გაწყვეტა.

O. გ-ის აბსოლ. მეთოდია ელექტრომაგნ. მეთოდი, რ-ის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს იზოტოპთა სრული განცალკევება ერთეჯერადი პროცესის განმავლობაში. O. გ-ის მეთოდი ემყარება ელექტრომაგნ. ველში იზოტოპთა მოძრაობის მიმართულების ცვლილებას, რაც მათივე მასისა (m) და იონის მუხტის (e) ფარდობაზეა დამოკიდებული. ამ მეთოდით O.გ. ხორციელდება მას-სპექტრომეტრებში.

ლიტ.: Розен А. М., Теория разделения изотопов в колоннах, М., 1960.

იზოტოპების გეოლოგია, გეოლოგიური მეცნიერების დარგი, რ-იც ქანებში, მადნებსა და მათ მინერალებში შემავალი ელემენტების იზოტოპების (რადიოაქტიური, რადიოგენური და სტაბილური) კვლევის გზით შეისწავლის გეოლ. პროცესებს.

რადიოაქტიური იზოტოპებისა და მათი პროდუქტების მიხედვით ადგენენ ქანებისა და მინერალების აბსოლ. ასაკს (იხ. *გეოლოგიური წელთაღრიცხვა*), აგრეთვე სხვადასხვა გეოლ. პროცესების მიმდინარეობის თავისებურებასა და სიჩქარეს (იხ. *რადიოგეოლოგია*). გეოლ. პროცესების შესახებ დიდ ინფორმაციას იძლევა ელემენტებში სტაბილური იზოტოპების თანაფარდობა. გეოლ. კვლევის დროს ხშირად იყენებენ გოგირდის ($^{32}S/^{34}S$), ნახშირბადის ($^{12}C/^{13}C$), ჟანგბადის (O_{18}/O_{16}), წყალბადის ($^{1}H/^{2}H$), სტრონციუმისა ($^{87}Sr/^{86}Sr$) და სხვა ელემენტთა იზოტოპურ თანაფარდობებს.

იზოტოპური ინდიკატორები, ნივთიერებები, რ-ებსაც ბუნებრივისაგან განსხვავებული იზოტოპური შედგენილობა გააჩნიათ და ამის გამო იყენებენ ნიშანდებულ ნივთიერებად სხვადასხვა პროცესის შესწავლისას. მათი მოლეკულის შედგენილობაში შეყვანით იცვლება ნივთიერების იზოტოპური შედგენილობა (ბუნებრივ იზოტოპურ ნარევთან შედარებით). O. O-ის მეთოდი ემყარება იმ ფაქტს, რომ ყველა იზოტოპის ქიმ. თვისებები ერთმანეთის მსგავსია. O. O-ის გამოყენებისას საკმარისია მათი ძალიან მცირე კონცენტრაციები. თუ ნაერთში შეყვანილია ერთი მდგრადი ან რადიოაქტ. იზოტოპი, მაშინ ნიშანდებულ ნივთიერებას უწოდებენ ერთნიშნიანს. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება ორმაგად ნიშანდებული ნივთიერების გამოყენება.

O. O-ად იყენებენ, როგორც მდგრად, ასევე რადიოაქტიურ იზოტოპებს. მდგრადი იზოტოპებია: ^{2}H, ^{13}C, ^{35}S, ^{35}Cl, ^{37}Cl, ^{204}Pb, ^{15}N, ^{18}O და სხვ. რადიოაქტ. O. O-თა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ^{3}H, ^{11}C, ^{14}C, ^{35}S, ^{36}Cl, ^{45}Ca, ^{51}Cr, ^{59}Fe, ^{60}Co, ^{212}Pb და სხვ. O. O-ად უმეტეს შემთხვევაში ისეთ რადიოაქტ. იზოტოპებს იყენებენ, რ-თა დაშ-

იზოტოპური ინდიკატორები. ნახ. 2. ფოსფორის რადიოიზოტოპის (^{32}P) განლაგება შაქრის ჭარხლის განივ ჭრილში.

ლის ნახევარპერიოდი საათებს, დღეებს ან წლებს შეადგენს. თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნიკაში O. O-ს ფართოდ იყენებენ.

ლიტ.: Радиоактивные изотопы в химических исследованиях, Л.— М., 1965.

ბიოლოგიაში O. O-ს იყენებენ მრავალი ბიოლ. პრობლემის გადასაწყვეტად, რ-თა შესწავლა სხვა მეთოდების გამოყენებით ძნელია ან შეუძლებელი. ამ მეთოდის უპირატესობა განპირობებულია იმით, რომ O. O. ორგანიზმისა და მისი ძირითადი სასიცოცხლო პროცესების მთლიანობას არ არღვევენ. სხვადასხვა სტაბილური და რადიოაქტ. იზოტოპის მეშვეობით შესწავლილია ბიოლოგიურად აქტ. ორგ. ნაერთების ბიოსინთეზისა და დაშლის რთული და ურთიერთდაკავშირებული პროცესები, ცოცხალ უჯრედში მათი გარდაქმნის ქიმ. მექანიზმები (ნახ. 1—3). O. O-ით შესწავლილია ბიოსფეროში პოპულაციებისა და ცალკეული ინდივიდის, აგრეთვე ორგანიზმში სხვადასხვა ნაერთის დინამიკა და გადაადგილება, ცხოველთა მიგრაციის გზები და პოპულაციების რიცხობრივობა. O. O-ის საშუალებით გამოირკვა, რომ ნახშირბადი მცენარეში აღწევს არა მარტო ფოთლების, არამედ ფესვთა სისტემის გზითაც, დადგინდა მთელ რიგ ნივთიერებათა გადანაცვლების გზები ფესვთა სისტემიდან ღეროსა და ფოთლებში და პირუკუ, აგრეთვე ამ გადანაცვლების სიჩქარე, შეისწავლეს ქსოვილებში სხვადასხვა ნივთიერების შეღწევის სიჩქარე (მაგ., რკინისა — ჰემოგლობინში, ფოსფორისა — ნერვულ და კუნთოვან ქსოვილებში, კალციუმისა — ძვლებში). დადგინდა კავშირი საწყისსა და ახლად წარმოქმნილ მოლეკულებს შორის. შეისწავლეს ცალკეულ ატომთა და ქიმ. ჯგუფების „ბედი" ნივთიერებათა ცვლის პროცესებში; გამოირკვა ამ გარდაქმნების თანამიმდევრობა და სიჩქარე. შეიქმნა ბიოსინთეზისა და მეტაბოლიზმის, ცოცხალ ორგანიზმში საკვების, სამკურნ. პრეპარატებისა და შხამების გარდაქმნის თანამედროვე სქემები. გამოირკვა, რომ ფოტოსინთეზის პროცესში გამოყოფილი ჟანგბადის წყაროა წყალი და არა ნახშირორჟანგი. დადგინდა ფოტოსინთეზის პროცესში ნახშირორჟანგის გარდაქმნის გზები. შეიქმნა ახ. წარმოდგენა საკვებ ნივთიერებათა შეწოვის სისწრაფისა და გავრცელების, ორგანიზმში მათი „ბედის" შესახებ. გამოირკვა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების გავლენა ნივთიერებათა ცვლაზე. O. O-ის მეთოდით შეისწავლეს ბიოლ. მემბრანებში ნივთიერებათა ტრანსპორტის შექცევადი პროცესი. დადგინდა, რომ მემბრანის ორივე მხარეს ნივთიერებათა კონცენტრაციები მუდმივია. O. O-ის მეთოდით იკვლევენ პროცესებს, რ-ებშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზმში ინფორმაციის გადაცემას (ნერვული იმპულსების გამტარობა, გაღიზიანების ინიციაცია, რეცეფცია და სხვ.) და ბოლოს მოხერხდა ბიოლ. სტრუქტურების სტატიკური დახასიათება, დაწყებული მოლეკულური დო-

ნიდან (ცილები, ნუკლეინის მჟავები) ზემოლეკულურ სტრუქტურებამდე (რიბოსომები, ქრომოსომები და სხვ.). მაგ., $^{1}H_2O$-ში, $^{2}H_2O$-სა და $H_2{}^{18}O$-ში ცილებისა და ნუკლეინის მჟავების შედარებითი მდგრადობის გამოკვლევით დადგინდა წყალბადური ბმების მნიშვნელობა. გამა-აქტ. იზოტოპების (^{59}Fe, ^{131}I და სხვ.) რეგისტრაციის მაღალი მგრძნობელობა ცოცხალ ორგანიზმში სისხლის დინების სისწრაფის გაზომვის, სისხლის რაოდენობისა და მისი სრული წრებრუნვის ლადგენის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობის გამოკვლევის საშუალებას იძლევა.

ლიტ.: Камен М., Радиоактивные индикаторы в биологии, пер. с англ., М., 1948; Радиоактивные изотопы во внешней среде и организме, М., 1970.

მედიცინაში Ი.-ს იყენებენ სხვადასხვა დაავადების განვითარების მექანიზმების, აგრეთვე ნივთიერებათა ცვლის შესწავლისა და მრავალი დაავადების დიაგნოსტიკისათვის. Ი. ორგანიზმში შეჰყავთ ისეთი მცირე რაოდენობით, რომ მათ არ გამოიწვიონ რაიმე პათოლ. ძვრები. Ი. Ი., ისე როგორც სხვა ელემენტები ორგანიზმში არათანაბრად ნაწილდება. იზოტოპის დაშლის დროს წარმოქმნილი გამოსხივების რეგისტრირებას აწარმოებენ რადიომეტრული ხელსაწყოებით, ავტორადიოგრაფიით და სხვ. მაგ., სისხლის მიმოქცევის დიდ და მცირე წრეებს, გულის სისხლის მიმოქცევას, სისხლის ნაკადის სისწრაფეს, გულის ღრუების გამოსახულებას განსაზღვრავენ იმ შენაერთების საშუალებით, რ-ებიც შეიცავენ ^{24}Na, ^{131}I, ^{99m}Tc, ^{133}Xe. ადამიანის შრატის ალბუმინის მაკროაგრეგატებს ^{131}I-თან ერთად იყენებენ ფილტვებში ანთებითი პროცესების, ფილტვის სიმსივნისა და ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა დაავადებათა დროს. ღვიძლის გამომყოფ და კონცენტრაციულ ფუნქციას შეისწავლიან ^{131}I-ით ნიშანდებული ბენგალ-როზის საღებავით, ^{198}Au-ის მეშვეობით მიიღება ღვიძლის ტოპოგრაფიული სურათი. თირკმლების გამოყოფითი ფუნქციის დასადგენად (რენოგრაფიისას) იყენებენ ^{131}I-ით ნიშანდებულ იოდჰიპურანს. თირკმლის ქსოვილის ტოპოგრაფიული სურათის მიღება შეიძლება სკანირებით, რ-ის დროსაც იყენებენ იოდჰიპურანს, აგრეთვე ^{203}Hg-ით ნიშანდებულ ნეოჰიდრინს ან ^{99m}Tc. კუჭნაწლავის გამოსახულების მისაღებად იზმარება ^{99m}Tc, ელენთის გამოსახულების მისაღებად — ^{99m}Tc-თი ან ^{51}Cr-ით ნიშანდებული ერითროციტები. პანკრეასის დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის მიმართავენ ^{75}Se, ^{85}Sr იზოტოპებს. *რ. ეფუტაძე.*

იზოტოპური მიმოცვლა, ქიმ. პროცესი, რ-ის დროსაც რომელიმე ელემენტის იზოტოპები ნაწილდება მორეაგირე ნივთიერებათა შორის. Ი. მ-ის დროს, მოცემული ნივთიერების მოლეკულაში ელემენტური შედგენილობის შეუცვლელად ხდება რომელიმე ელემენტის ერთი იზოტოპის ჩანაცვლება მისივე მეორე იზოტოპით. მაგ., თუ ქლორის მძიმე იზოტოპით ^{37}Cl გამდიდრებულ ქლორწყალბადს HCl შეეურევთ ჩვეულებრივი იზოტოპური შედგენილობის ქლორს Cl_2 (75,53^{35}% Cl და 24,47% ^{37}Cl), Ი. მ-ის რეაქციის შედეგად ქლორი გამდიდრდება მძიმე იზოტოპით, ქლორწყალბადი კი გაღარიბდება:



$$H^{37}Cl + {}^{35}Cl_2 = H^{35}Cl + {}^{35}Cl^{37}Cl$$
$$H^{37}Cl + {}^{35}Cl^{37}Cl = H^{35}Cl + {}^{37}Cl_2.$$

იზოტოპების განაწილებას ნივთიერებათა შორის წონასწორულ მდგომარეობაში ახასიათებენ განაწილების კოეფიციენტით α, რ-იც განსაზღვრავს მორეაგირე ნივთიერებებში იზოტოპების წონასწორული კონცენტრაციების თანაფარდობას. თანაბარი განაწილებისას α=1. Ი. მ-ის სიჩქარე რეაქციის მექანიზმით განისაზღვრება. კარგად არის შესწავლილი წყალბადის, ჟანგბადის, ჰალოგენების, ნახშირბადის, აზოტისა და გოგირდის Ი. მ-ის რეაქციები. Ი. მ-ის მეთოდს იყენებენ საჭირო იზოტოპის კონცენტრირებისათვის, ნივთიერებათა რეაქციის უნარიანობის შესასწავლად, *იზოტოპების განცალკევებისათვის* და სხვ.

ლიტ.: Бродский А. И., Химия изотопов, 2 изд., М., 1957.

იზოტოპური სპინი, ძლიერად ურთიერთმქმედი ნაწილაკების ერთ-ერთი მახასიათებელი, რ-იც სხვა მახასიათებლებთან (მასა, სპინი, ბარიონული მუხტი) ერთად განსაზღვრავს, თუ *ძლიერ ურთიერთმქმედებაში* ერთნაირად მონაწილე და მსგავსი თვისებების (მაგრამ სხვადასხვა ელექტრული მუხტის) მქონე ნაწილაკთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება იგი.

იზოტროპია, იზოტროპიულობა (*იზო...* და ბერძნ. tropos — მიმართულება), ნივთიერების ფიზიკურ თვისებათა ერთგვაროვნება სხვადასხვა მიმართულებით (წინაალმდეგ *ანიზოტროპიისა*). სრული Ი. ახასიათებს აირებს, სითხეებსა და *ამორფულ მდგომარეობაში* მყოფ მყარ სხეულებს.

იზოტროპიული გამოსახივარი, წარმოსახვითი *ანტენა,* რ-იც ელექტრომაგნიტურ ენერგიას ყველა მიმართულებით ერთნაირი ინტენსიურობით ასხივებს. მას ნებისმიერ სიბრტყეში მიმართულების წრიული დიაგრამა აქვს. საანტენო ტექნიკაში სხვადასხვა ანტენის მიმართულების თვისებათა შეფასების, კერძოდ, მათი მიმართული მოქმედების კოეფიციენტთა განსაზღვრის დროს ეტალონად Ი. გ-ს იყენებენ. დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე ისეთ ანტენას იყენებენ, რ-იც მიმართულობის თვისებებით Ი. გ-ს უახლოვდება.

იზოფოტი (*იზო...* და ბერძნ. phōs, ნათ. ბრ. phōtos — სინათლე), ტოლი განათებულობის (ფოტებით გამოსახული) წერტილთა შემაერთებელი წირი ზედაპირზე. ტერმ. „Ი." შემოიღეს დიდ ბრიტანეთში.

იზოქორა (*იზო...* და ბერძნ. chōra — დაკავებული ადგილი, სივრცე), სისტემაში მუდმივი მოცულობის დროს (*იზოქორული პროცესი*) მიმდინარე პროცესის გამომსახველი წირი *მდგომარეობის* დიაგრამაზე. ყველაზე მარტივია Ი-ის განტ. *იდეალური აირისათვის* p/T=const, სადაც p არის აირის წნევა, T — ტემპ-რა.

იზოქორული პროცესი, ფიზიკურ სისტემაში მუდმივი მოცულობის დროს მიმდინარე პროცესი. აირსა და სითხეში Ი. პ-ის განხორციელება ადვილია. ამისათვის საკმარისია მათი მოთავსება დარჩილულ ხისტ ჭურჭელში, რ-იც არ იცვლის მოცულობას. Ი. პ-ის დროს სხეულის მოცულობის ცვლილებასთან დაკავშირებული მექან. მუშაობა არ სრულდება. სხეულის შინაგანი ენერგია იცვლება მხოლოდ სითბოს შთანთქმის ან გამოყოფის ხარჯზე. აირის (სითხის) ტემპ-რის ცვლილებისას იცვლება მისი წნევა. Ი. პ-ის დროს *იდეალური აირის* წნევა ტემპ-რის პროპორციულია (*შარლის კანონი*). არაიდეალური აირისათვის შარლის კანონი არ სრულდება.

იზოქრონიზმი (<ბერძნ. isochronos — თანაბარდროულობა), სალექსო სტრიქონის დაყოფა თანაბარი ხანგრძლივობის რიტმულ ჯგუფებად. დამახასიათებელია მეტრული ლექსთწყობისათვის.

იზოციანატები, იზოციანმჟავას ეთერები, R—N=C=O (R ალიფატური, არომატული, ალკილარომატული ან ჰეტეროციკლური რადიკალია). უფერული ან ოდნავ შეფერილი სითხე, ან კრისტალური ნივთიერებები. მოლეკულაში NCO ჯგუფის რაოდენობის (ერთი, ორი, სამი და მეტი) მიხედვით Ი-ს ყოფენ მონო-, დი-, ტრი- და ა. შ. Ი-ად. Ი-ის დამახასიათებელია მაღალი რეაქციის უნარი. ისინი ადვილად ურთიერთმოქმედებენ მოძრავი წყალბადის ატომის შემცველ ნაერთებთან. მაგ., მონოიზოციანატები ამიაკსა და ამინებთან შარდოვანას ნაწარმებს (1) წარმოქმნის, ხოლო სპირტებთან — ჩანაცვლებულ ურეთანებს (2):

$$RNCO + NH_3 \rightarrow RNHCONH_2 \quad (1)$$
$$RNCO + R'OH \rightarrow RNHCOOR' \quad (2).$$

Ი. განიცდიან დიმერიზაციასა და ტრიმერიზაციას (მაგ., იზოციანურატების წარმოქმნით). Ი-ს ფართოდ იყენებენ მრეწველობაში ურეთანული კაუჩუკების, პოლიურეთანების, წებოების, ლაქსალებავების და ჰერბიციდების წარმოებაში. Ი-ს მრეწველობაში ძირითადად ღებულობენ პირველადი ამინების ფოსგენირებით.

იზოხაზები (*იზო...* და ხაზები), გეოგრაფიულ რუკაზე, ვერტ. ჭრილზე, გრაფიკზე გავლებული ხაზები, რ-ებიც აერთიანებენ ამა თუ იმ სიდიდის ერთნაირი მნიშვნელობის წერტილებს (მაგ., წნევისა — *იზობარები,* ზღვის სიღრმისა — *იზობათები,* ერთნაირი ტემპ-რებისა — *იზოთერმები*). რუკის Ი-ს ფართოდ იყენებენ სივრცეში უწყვეტი და თანდათანობით ცვლადი სიდიდეების (მაგ., ჰაერის ტემპერა) მნიშვნელობათა დასახასიათებლად.

იზოპიფსები (*იზო...* და ბერძნ. hypsos — სიმაღლე), *იზოხაზების* ერთ-ერთი სახეობა, რ-იც წარმოადგენს კვეთის სიმაღლის ჯერადი ნიშნულების მქონე ხაზებს. Ი-ის საშუალებით გამოისახება ადგილის *რელიეფი.*

იზუბრი (Cervus elaphus xanthopygus), ბუმბუმწოვარი ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა. *კეთილშობილი ირმის* ქვესახეობა. მისი სხეულის სიგრძეა 220—250 *სმ,* წონა — 170—250 *კგ.* ზაფხულობით მოწითალო შეფერილობა აქვს, ზამთარში მოყვითალო-რუხია. გავრცელებულია აღმ. აზიაში (ჩრდ. ჩინეთი, კორეა; სსრკ-ში — აღმ. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში). გვხვდება როგორც ბარში, ისე მთაში. მაკეობა 8,5 თვემდე გრძელდება. სარეწაო ცხოველია. იყენებენ ხორცს, ტყავს, რქას. Ი-ის ახალგაზრდა რქებისაგან, რ-საც პანტებს ეძახიან და ცოცხალ ცხოველს აჭრიან, ამზადებენ სამკურნ. პრეპარატს — პანტოკრინს.

ითილი, 1. მდ. ვოლგის სახელწოდება შუა საუკ. არაბულ და სპარსულ ლიტერაში. დღემდე ხმარობენ თათრები, ბაშკირები, ჩუვაშები და სხვ. 2. ხაზართა სახაკანოს დედაქალაქი VIII—X სს-ში. მდებარეობდა ახლანდ. ასტრახანის ზემოთ 15 *კმ*-ზე. ცხოვრობდნენ ხაზარები, თურქები, სლავები, ებრაელები. ქალაქში იყო ხაკანის სასახლე, ტაძრები, სასწავლებლები, აბანოები, ბაზრები. 965 დაანგრია კიევის მთავარმა სვიატოსლავმა.

ითრაფისი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ში (მსხლების სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ,* ჯავიდან 8 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ.* ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. დიდ გუფთაში (3 *კმ*).

ითხვისი, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ითხვისის ზეგანზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები:



იზოტოპური ინდიკატორები. ნახ. 3. გოგირდის რადიოიზოტოპის (^{35}S) შერჩევითი დაგროვება ვირთაგვას 20-დღიანი ჩანასახის ხრტილოვან ქსოვილში: ა-შეფერილი ჭრილი; ბ-რადიოავტოგრაფი.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი იზოციანატი



n-ფენილენილ-იზოციანატი.

2,4-ტოლუილენ-დიიზოციანატი.



დიფენილმეთან-დიიზოციანატი-4,4'.



დიფენილდი-იზოციანატი— 4.4'.



ტრიფენილმეთან-ტრიიზოციანატი— 4,4',4''

იზუბრი.

ითხვისი. კილიკი. ძვ. წ. V ს. 50-იანი წლები. ოსტატ პაიმონის წრის ატიკური ნაწარმი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი



ითხვისი. ვერცხლის რიტონი. ძვ. წ. V ს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.



იისფერი ფარიანა: ზემოთ-დედლის ფარი; ქვემოთ—მამლის ფარი.



მ. იგბალი.

O., ბეგიაური, ბეინეკი). ზ. დ. 720 *მ*, ჭიათურიდან 16 *კმ*, დარკვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. ჭიათურის სამთამადნო კომბინატის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. მანგანუმის მოპოვება. საშ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

1962—63 O-ში, ადგილ ჩილათაზე, გაითხარა (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) მრავალფენიანი ნამოსახლარი და ანტ. ხანის სამაროვანი. ნამოსახლარის უძველესი ფენა ადრინდ. ბრინჯაოს ხანისაა (ძვ. წ. III ათასწლ.). მასში აღმოჩნდა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა. გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის ფენებში (ძვ. წ. II—I ათასწლ.) ნაპოვნია დიდი რაოდენობით შავად გამომწვარი კოლხური კერამიკა, ბრინჯაოსა და რკინის იარაღი, ბრინჯაოს ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბები, წიდა და ა. შ. ადრინდ. ანტ. ხანის კულტ. ფენებში ადგილ. მასალასთან ერთად აღმოჩნდა იმპორტული ნივთებიც (ბერძნ. შავლაქიანი კერამიკა, აღმ. საქართველოდან შემოტანილი მოხატული ჭურჭელი და სხვ.). გაითხარა 12 სამარხი, რ-თაგან სიმდიდრით გამოირჩევა ძვ. წ. IV ს. ერთ-ერთი სამარხი. ხის სარკოფაგში დაკრძალული იყო წარჩინებული ქალი მოახლითურთ, რ-საც ჩატანებული ჰქონდა მრავალი ნივთი. ძვ. წ. V ს. მდიდრულ სამარხში სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. II მეოთხედის ატიკური შავფიგურებიანი კილიკი და შავლაქიანი ჯამი. ჯამზე და ერთ ადგილ. თიხის დოქზე ბერძნ. ასოებით ამოკაწრულია მფლობელის სახელი — „მეტოს". ეს წარწერა ბერძნ. დამწერლობის გამოყენების უძველესი მაგალითია საქართველოში. ჩილათის სამოსახლომ ადრინდ. ფეოდ. ხანამდე იარსება.

ლიტ.: გ ა გ ო შ ი ძ ე ი., ითხვისის სამარხი, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე", 1967, ტ. 25 B.

ი. გაგოშიძე.

ᲘᲘᲖᲔᲠᲐ. (Jizera), მდინარე ჩეხოსლოვაკიაში, ლაბის (ელბა) მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს იიზერის მთებში პოლ.-ჩეხოსლ. საზღვართან. უმთავრესად მიედინება ჩრდ. ჩეხიის ბორცვიან ვაკეზე. სიგრძე 163 *კმ*, აუზის ფართ. 2,2 ათ. *კმ*². წყლის საშ. ხარჯი ქვემო დინებაში დაახლ. 25 *მ*³/*წმ*. აცურებენ ხე-ტყეს. O-ზეა ჰესი. მის ნაპირებზეა ქ-ები ტურნოვი, მლადა-ბოლესლავი.

ᲘᲘᲖᲔᲠᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ, *სუდეტების* ჩრდ.-დას. ნაწილი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

ᲘᲘᲡᲘᲐᲜᲘᲜᲘ (Violaceae), ორლებნიან ფურცლებგანცალკევებულ მცენარეთა ოჯახი. უმეტესად ბალახები, ზოგჯერ ბუჩქები, ხეები (ტროპიკებში) და ლიანებია. ცნობილია 900-მდე სახეობა (22 გვარის). გავრცელებულია ტროპიკებსა და ორივე ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში და საერთოდ სსრკ-ში მხოლოდ ერთი გვარია —*ია*; გვხვდება მისი ეთერზეთოვანი, სამკურნალო და დეკორ. სახეობები.

ᲘᲘᲡᲬᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲘᲐᲜᲐ (Parlatoria oleae), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. საქართველოში ძლიერ აზიანებს კურკოვან და თესლოვან ხეხილს. დედალი O. Ш-ს სხეულის სიგრძეა 1—2 *მმ*, იისფერია, მონაცრისფრო-მოთეთრო. ფარით დაფარული. მამალი ფრთიანია, მოგრძო ფარი აქვს. ნაყოფზე, ფარიანას კვების ადგილას, წითელი მრგვალი ლაქები ჩნდება.

ᲘᲘᲚᲐᲕᲐ (Jihlava), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სამხრ. მორავიის ოლქში, მდ. იიჰლავის ნაპირზე. 40 ათ. მცხ. (1970). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ., საფეიქრო, ხის დასამუშ., კვების მრეწველობა. XIII—XVI სს. არქიტ. ძეგლები.

ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ (Ikaros), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში *დედალოსის* ვაჟიშვილი.

ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ, *მცირე ცთომილი* № 1566. აღმოაჩინა ამერ. ასტრონომმა ვ. ბაადემ 1949. მზიდან საშ. დაშორება 1,08 *ა. ე.* დიამეტრი დაახლ. 2 *კმ*. ორბიტის დახრა ეკლიპტიკისადმი 23°. ექსცენტრისიტეტი 0,83. დედამიწას უახლოვდება ხოლმე 0,04 *ა. ე.* მანძილზე. O. შეარქვეს ძვ. ბერძენი გმირის იკაროსის პატივსაცემად.

ᲘᲙᲐᲡᲐ (Icaza) ხორხე (10. VII. 1906, კიტო,—1. VII. 1978), ეკვადორელი მწერალი. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ახ. ეტაპი ინდიანისტურ ლიტ-რაში: ასახვის ობიექტად აირჩია მწვავე სოც. კონფლიქტები ინდიელთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ რომანებში მანამდე გაბატონებული რასობრივ-სანტიმენტალური თემების ნაცვლად. O-ს მთავარი ნაწარმოებია რომანი „უასიპუნგო" (1934), რ-იც მამხილებელი პათოსით ყველაზე უკომპრომისო თხზულებადაა მიჩნეული ლათ. ამერ. ლიტ-რაში. მის ნაწარმოებებში მბაფრი კრიტ. თვალთახედვით არის ასახული ეკვადორის ცხოვრების პირქუში პანორამა (რომანები „ქუჩებში", 1935, ეკვადორის ეროვნ. პრემია; „მეტისები", 1937 და სხვ.), გატარებულია ბიოლ. (ეთნიკური) დეტერმინიზმის იდეები.

ᲘᲙᲑᲐᲚᲘ მუჰამად (22. II. 1873 ან 1877, სიალკოტი, პენჯაბი, — 21. IV. 1938, ლაჰორი), ინდიელი პოეტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე. ინდ. სპარსულენოვანი ლიტ-რის წარმომადგენელი. თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია O-ს პოეტური კრებულები „ჩემი პიროვნების საიდუმლოებანი" (1915), „თვითაღკვეთის საიდუმლოებანი" (1918), „აღმოსავლეთის უპისტოლე" (1923), აგრეთვე ურდუ ენაზე დაწერილი თხზულებები „გაბრიელის ფრთა" (1935), „მოსეს კვერთხი" (1936), ლექსების კრებული „ქარავნის ზანზალაკი" (1924) და სხვ.

ᲘᲙᲔᲑᲐᲜᲐ, იაპონიაში გავრცელებული თაიგულის შეკვრის ხელოვნება. ამ წესით შეკრული თაიგული წარმოიშვა XV ს-ში, როგორც „ჩაის ცერემონიის" რიტუალის ნაწილი. არსებობს O-ს სკოლები. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სოფუ ტესიგაჰარას სკოლა.

ᲘᲙᲔᲗᲘ, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ში (ზახორის სოფსაბჭო), მდ. ლეხურის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, ლენინგორიდან 80 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. ზახორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო ზახორში (12 *კმ*).

ᲘᲙᲔᲘᲐ-ᲪᲔᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ, კომეტა, რ-იც 1965 წ. 18 სექტ. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს იაპ. დამკვირვებლებმა კ. იკეიამ და ც. სეკიმ. აღნიშნულ დღეს იგი წარმოადგენდა მე-8 *ვარსკვლავიერი სიდიდის* დიფუზურ ობიექტს. გაიარა თითქმის პარაბოლურ ორბიტაზე. ეკუ-

წლის განმავლობაში 2—3 თაობა ვითარდება. განაყოფიერებული დედალი გამოიზამთრებს და გაზაფხულზე 20 — 60 კვერცხს დებს. პირველი თაობის მატლები აპრილში იჩეკება, მეორე თაობისა — ივლ.-აგვისტოში. მატლები ემაგრებიან დედალს ფარის გარშემო და მჭიდრო კოლონიებს ქმნიან; ხეხილის ძლიერი დაზიანების შემთხვევაში მთლიანად ფარავს მცენარის ტოტებსა და შტამბს. მეორე თაობის მატლები ნაყოფზეც გადადიან. O. Ш. ასუსტებს, ახმობს ტოტებსა და თვით მცენარესაც. ამ მავნებლის მოსასპობად მცენარეს ასხურებენ *პესტიციდებს*, იყენებენ ბრძოლის ბიოლ. მეთოდსაც.

Ш. ᲗᲐᲯᲘᲒᲘᲢᲘᲚᲘ.

ᲘᲘᲰᲚᲐᲕᲐ (Jihlava), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სამხრ. მორავიის ოლქში, მდ. იიჰლავის ნაპირზე. 40 ათ. მცხ. (1970). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ., საფეიქრო, ხის დასამუშ., კვების მრეწველობა. XIII—XVI სს. არქიტ. ძეგლები.

ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ (Ikaros), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში *დედალოსის* ვაჟიშვილი.

ᲘᲙᲐᲠᲝᲡᲘ, *მცირე ცთომილი* № 1566. აღმოაჩინა ამერ. ასტრონომმა ვ. ბაადემ 1949. მზიდან საშ. დაშორება 1,08 *ა. ე.* დიამეტრი დაახლ. 2 *კმ*. ორბიტის დახრა ეკლიპტიკისადმი 23°. ექსცენტრისიტეტი 0,83. დედამიწას უახლოვდება ხოლმე 0,04 *ა. ე.* მანძილზე. O. შეარქვეს ძვ. ბერძენი გმირის იკაროსის პატივსაცემად.

ᲘᲙᲐᲡᲐ (Icaza) ხორხე (10. VII. 1906, კიტო,—1. VII. 1978), ეკვადორელი მწერალი. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ახ. ეტაპი ინდიანისტურ ლიტ-რაში: ასახვის ობიექტად აირჩია მწვავე სოც. კონფლიქტები ინდიელთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ რომანებში მანამდე გაბატონებული რასობრივ-სანტიმენტალური თემების ნაცვლად. O-ს მთავარი ნაწარმოებია რომანი „უასიპუნგო" (1934), რ-იც მამხილებელი პათოსით ყველაზე უკომპრომისო თხზულებადაა მიჩნეული ლათ. ამერ. ლიტ-რაში. მის ნაწარმოებებში მბაფრი კრიტ. თვალთახედვით არის ასახული ეკვადორის ცხოვრების პირქუში პანორამა (რომანები „ქუჩებში", 1935, ეკვადორის ეროვნ. პრემია; „მეტისები", 1937 და სხვ.), გატარებულია ბიოლ. (ეთნიკური) დეტერმინიზმის იდეები.

ᲘᲙᲑᲐᲚᲘ მუჰამად (22. II. 1873 ან 1877, სიალკოტი, პენჯაბი, — 21. IV. 1938, ლაჰორი), ინდიელი პოეტი, ფილოსოფოსი, საზოგადო მოღვაწე. ინდ. სპარსულენოვანი ლიტ-რის წარმომადგენელი. თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანია O-ს პოეტური კრებულები „ჩემი პიროვნების საიდუმლოებანი" (1915), „თვითაღკვეთის საიდუმლოებანი" (1918), „აღმოსავლეთის უპისტოლე" (1923), აგრეთვე ურდუ ენაზე დაწერილი თხზულებები „გაბრიელის ფრთა" (1935), „მოსეს კვერთხი" (1936), ლექსების კრებული „ქარავნის ზანზალაკი" (1924) და სხვ.

ᲘᲙᲔᲑᲐᲜᲐ, იაპონიაში გავრცელებული თაიგულის შეკვრის ხელოვნება. ამ წესით შეკრული თაიგული წარმოიშვა XV ს-ში, როგორც „ჩაის ცერემონიის" რიტუალის ნაწილი. არსებობს O-ს სკოლები. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სოფუ ტესიგაჰარას სკოლა.

ᲘᲙᲔᲗᲘ, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ში (ზახორის სოფსაბჭო), მდ. ლეხურის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, ლენინგორიდან 80 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. ზახორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო ზახორში (12 *კმ*).

ᲘᲙᲔᲘᲐ-ᲪᲔᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲢᲐ, კომეტა, რ-იც 1965 წ. 18 სექტ. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს იაპ. დამკვირვებლებმა კ. იკეიამ და ც. სეკიმ. აღნიშნულ დღეს იგი წარმოადგენდა მე-8 *ვარსკვლავიერი სიდიდის* დიფუზურ ობიექტს. გაიარა თითქმის პარაბოლურ ორბიტაზე. ეკუ-

თვნის მცირე პერიჰელიუმის მანძილი მქონე კომეტებს; O.-ს. 4-მ 1965 წ. 21 ოქტ. გაიარა მზის გვირგვინში, ზედაპირი-დან 500 000 *კმ* მანძილზე. მზის სიახლოვისას დღისითაც მოჩანდა, პერიჰელიუმშ-გავლის შემდეგ კი გათენებისას ჩანდა საკმაოდ ბრწყინვალე ობიექტის სახით და ჰქონდა ათეულობით გრადუსის სიგრძის კუდი. სპექტრი მდიდარი იყო ლითონთა გამოსხივების ხაზებით და ჰგავდა ეტეორთა სპექტრს.

ᲘᲐᲕᲘ, XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ტაძარი მდ. შაბწყალას (თემმის შენაკადი) ხეობაში, კასპის რ-ნში. თვით სოფ. იკვი აღარ არსებობს, მოსახლეობა გადასახლდა სამგორში. გეგმით წაგრძელებული ჯვრის ტიპის, გუმბათოვანი ტაძარი ნაგებია სუფთად გათლილი კვადრებით. აღმ. ნაწილში არის სამკვეთლო და სადიაკვნე. გუმბათი ყელის დასაყრდნობად აფრებია გამოყენებული. ინტერიერში ნათლად იკითხება ჯვრის ფორმა, რადგან სადიაკვნე და სამკვეთლო არ ერწყმის შიგა სივრცეს; ისინი დაბალი, ვიწრო გასასვლელებით უკავშირდება ძირითად მოცულობას. ტაძარი გეგმა ნათლად მჟღავნდება გარე მასებშიც. ოთხივე ფასადი შემკულია ორმაგი ლილვიანი თაღედის სისტემით. ტაძარს აქვს ფართო მოჩუქურთმებული საპირეებითა და ტიმპანებით შემკული ორი შესასვლელი. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები XI ს. მიეკუთვნება.

ნ. ალადაშვილი.

ᲘᲐᲕᲚᲘᲜᲘᲐᲜᲝᲠᲐᲜᲐ, სოფელი საგარეჯოს რ-ნში (კოჭბაანის სოფსაბჭო), იალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ივრის ხეობაში. ზ. დ. 1490 *მ*, საგარეჯოდან 72 *კმ*. გომბორის მეცხოველეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. კოჭბაანში (7 *კმ*). ბ-კა.

ᲘᲐᲕᲚᲘᲜᲘ, მთა იალნოს ქედის აღმ. ნაწილში, მცხეთისა და საგარეჯოს რ-ნების საზღვარზე. სიმაღლე 1766 *მ*. აგებულია ნეოგენური ქვიშაქვებით, თიხებით, კონგლომერატებით. შემოსილია მეორეული სუბალპ. მდელოთი.

ᲘᲐᲕᲜᲔᲕᲘ, სოფელი გორის რ-ნში (ატენის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1400 *მ*, გორიდან 15 *კმ*, ატენის კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. დიდ ატენში (6 *კმ*). სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია 1658. O-ის მახლობლად ეკლესიის ნანგრევებია (ვარაუდით, ადრინდ. ფეოდ. ხანისა). სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოსხანის ბალთა.

ᲘᲐᲙᲘ, დ ი დ ი ი ა კ ი, მდინარე ბაშკ. დ. თათრ. ასსრ-ებში, კამის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 571 *კმ*, აუზის ფართ. 18 ათ. *კმ*². უმთავრესად მიედინება ბუგულმა-ბელეების მაღლობზე. იკვებება თოვლის წყლით. წყლის საშ. ხარჯი სოფ. ნაგაიბაკოვოსთან 45,5 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბ. II ნახევარში, ყინულძვრა აპრილის შუა რიცხვებშია. მთავარი შენაკადებია: მარცხ.—დიუკა, მელია, მენზელია, მარჯვ. — უსენი, სანაოსნოა შესართავიდან 100 *კმ*. O-ის ნაპირზეა ქ. ოქტიაბრსკი. O-ის აუზში იღებენ ნავთობს.

ᲘᲐᲙᲘᲯᲔ (Iquique), ქალაქი და ნავსადგური ჩილეში, წყნარი ოკ. სანაპიროზე. ტარაპაკის პროვ. ადმ. ცენტრი. 63,6 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. თევზის გადასამუშ. და ქიმ. მრეწველობა. გააქვთ თევზის ფქვილი, გვარჯილა, იოდი. დ. არსდა XVI ს-ში.

ᲘᲐᲙᲘᲢᲝᲡᲘ (Iqitos), ქალაქი ჩრდ.-აღ. პერუში. ნავსადგური მდ. ამაზონკაზე. მარცხ. ნაპირზე. ლორეტოს დეპარტ. ადმ. ცენტრი. 111 ათ. მცხ. (1972). ნავთობგადასამუშ. მრეწველობა. გააქვთ კაუჩუკი, ხე-ტყე და სხვ. უნტი.

ᲘᲐᲗᲘ, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში (ლენინგორის სადაბო საბჭო), მდ. ქსნის მარცხ. მხარეს. ზ. დ

.0 *8*, ლენინგორიდან 3 *კმ*, ქსნიდან (უა-
ᲥᲝᲔᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒ.) 34 *კმ*. ᲚᲔᲜᲘᲜ-
ᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ-
. ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲙᲚᲣᲑᲘ, Ბ-ᲙᲐ, ᲡᲐᲤᲔᲠᲨᲚᲝ
ᲠᲔᲥᲢᲘ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲨᲛ. ᲒᲐᲜᲒ-ᲑᲐ. ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲘ
ᲞᲐᲠᲝᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ
VII Ს-ᲨᲘ. ᲛᲘᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓ. ᲑᲠᲘᲜ-
ᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲘᲜᲓ. ᲐᲜᲢ. ᲮᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚ.
ᲒᲚᲔᲑᲘ. ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲜᲘᲚᲘᲐ ᲨᲣᲐ ᲤᲔᲝᲓ. ᲮᲐ-
ᲜᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ — Ე. Წ. „ᲐᲨᲮᲐ-
ᲠᲘᲐ“, ᲬᲛ. ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲐᲜᲓ.
ᲤᲔᲝᲓ. ᲮᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲨᲘ.

ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ (ᲑᲔᲠᲫᲜ. eikōn — ᲒᲐᲛᲝᲡᲐ-
ᲡᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲔ ᲓᲐ ...*graphia*) ᲡᲐᲮᲔᲑᲘᲗ
ᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲞᲘᲠᲡᲝᲜᲐᲟᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲡᲘ-
ᲟᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ
ᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ
ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲫᲕ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲔ-
ᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒ. ᲙᲣᲚᲢᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲠᲘᲢᲣᲐᲚ-
ᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ
ᲪᲕᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡ ᲐᲜ
ᲮᲔᲜᲘᲡ ᲘᲝᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲑᲐ-
ᲠᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲗᲔᲝᲚ. ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐ-
ᲑᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ (ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ, ᲛᲐᲪᲮᲝᲕ-
ᲠᲘᲡ, „ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲔᲑᲘᲡ“ Ი-ᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢ.
ᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ, ᲑᲣᲓᲐᲡᲘ — ᲑᲣᲓᲘᲡᲢᲣᲠ ᲮᲔ-
ᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.). ᲓᲠᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝ-
ᲨᲘ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮ. ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲓᲘ-
ᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲘᲙᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔ-
ᲛᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲓᲔᲑᲐᲓ ᲘᲪᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔ-
ᲑᲘᲡ ᲔᲠᲐᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜ-
ᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲒᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ-
. ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲝᲑᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ ᲘᲙᲝᲜᲝ-
ᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐ-
ᲬᲛᲔᲢᲐ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝ-
ᲐᲨᲘ Ი. ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲘ�პᲝᲚᲝᲒᲘ-
ᲩᲠ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲥᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲬᲔᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ. Ი-ᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝ-
ᲪᲐ 1840-ᲘᲐᲜ ᲬᲬ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐ-
ᲜᲘᲐᲨᲘ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲬᲕᲐ-
ᲚᲝᲔᲑᲘᲡ, ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲚᲘᲢ-ᲠᲐᲡᲗᲐᲜ
ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ.

ᲚᲘᲢ.: **История европейского искусствознания, кн. 1, М., 1969; Современное искусствознание за рубежом. Очерки, М., 1964.**

ᲘᲙᲝᲜᲝᲡᲙᲝᲠᲘ (ᲑᲔᲠᲫᲜ. eikōn — ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ skopeō — ᲕᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑ), ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ *ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲛᲘᲚᲐᲙᲘ*, Რ-ᲘᲪ ᲝᲠᲢᲘᲙᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲣᲤᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲠᲐᲥᲛᲜᲘᲡ (ᲜᲐᲮ.).

Ი-ᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲐᲕᲔᲜᲔᲡ 1931 ᲡᲐᲑᲭ. ᲔᲙᲜ. Ს. ᲙᲐᲢᲐᲔᲕᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠ. Ვ. ᲖᲕᲝᲠᲘᲙᲘᲜᲛᲐ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲐ�გᲝ Ვ. ᲖᲕᲝᲠᲘᲙᲘᲜᲛᲐ 1932). Ი-ᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲓᲐ ᲜᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲙᲘᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ �გᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ. 50-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ Ი. ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲛᲘᲚᲐᲙᲔᲑᲛᲐ (ᲡᲣ�პᲔᲠᲘᲙᲝᲜᲝᲡᲙᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗ.).

ᲙᲝᲠᲗᲐ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲠ. ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲝ ᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ Რ-ᲜᲨᲘ (ᲐᲠᲪᲔᲕᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲡᲐᲭᲭᲝ), ᲠᲝᲑᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠ. ᲙᲐᲚᲗᲐᲨᲘ. Შ. Დ. 900 *Მ*, ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ 35 *კმ*. ᲐᲠᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲜᲯᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲐ ᲡᲝᲤ. ᲠᲩᲔᲕᲨᲘ (3 *კმ*). ᲤᲔᲝᲓ. ᲮᲐᲜᲐᲨᲘ Ი. ᲘᲧᲝ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲗᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ. 1732 Ი-ᲓᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲠᲘᲒᲔᲠᲘᲔᲡ ᲚᲔᲙᲘ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲕᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲚᲛᲐ. 1736 ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ ᲨᲐᲜᲨᲔ ᲝᲠᲐᲜᲡ ᲒᲐᲜᲣᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲘᲙᲝᲠᲗᲘᲡ ᲪᲮᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲒᲠᲓᲐ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲘᲒᲘ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲐ ᲪᲮᲘᲚᲔᲡ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲠᲐᲡ, ᲛᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐᲖᲔ, ᲓᲒᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲫᲕ. ᲥᲐᲠᲗ. ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ — ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ, Რ-ᲘᲪ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1172. ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲝᲗᲮᲙᲣᲗᲮᲐ ᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘ ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲚᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠ ᲑᲝᲛᲡ ᲔᲣᲠᲓᲜᲝᲑᲐ. ᲐᲦᲛ-ᲘᲗ ᲜᲐᲔᲕᲐᲠᲬᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲤᲡᲘᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲣᲮᲐᲓ ᲜᲐᲗᲓᲔᲑᲐ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲤᲔᲚᲨᲘ ᲛᲐᲢᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ 12 ᲡᲐᲠᲙᲛᲚᲘᲓᲐᲜ. ᲙᲔᲓᲔᲚ-ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲔᲚᲔᲡᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ (ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲤᲡᲘᲓᲨᲘ, ᲩᲠᲓ. ᲙᲔᲓᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲗᲖᲔ), ᲡᲐᲛᲮᲠ. ᲓᲐ ᲓᲐᲡ. ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔᲔᲑᲘ (ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘᲐ). ᲐᲮᲚᲐᲜᲓ. ᲡᲐᲛᲮᲠ. ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲔ ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲚᲘᲐ. ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘᲡ ᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲓᲠᲣᲚᲐᲓᲐᲐ ᲨᲝᲩᲣᲭᲣᲠᲗᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲠᲘᲗ. Ი-ᲘᲡ ᲤᲐᲫᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲥᲐᲠᲗ. ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲒᲐᲠᲣᲚ-ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘᲗ Ი�გᲘ ᲣᲫᲕᲠᲔᲡᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘᲐ XII—XIII ᲡᲡ. ᲛᲘᲯᲜᲐᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ �გᲣᲛᲑᲐᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲢᲐᲫᲠᲔᲑᲘᲡᲐ, Რ-ᲔᲑᲨᲘᲪ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲥᲐᲠᲗ. �გᲣᲛᲑᲐᲗᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ.

Ი-ᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ *ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ* (1659) ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ: ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲩᲝᲚᲝᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘ.

Ჯ. ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ.
Თ. ᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲘᲙᲝᲡᲐᲔᲓᲠᲘ (ᲑᲔᲠᲫᲜ. eikosaedron < éikosi — ᲝᲪᲘ ᲓᲐ hedra — ᲤᲣᲫᲔ), ᲔᲠᲗᲘ ᲮᲣᲗ ᲬᲔᲡᲘᲔᲠ *ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲐᲮᲜᲐᲒᲗᲐᲒᲐᲜᲘ*. ᲐᲥᲕᲡ 20 ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲘ (ᲡᲐᲛᲙᲣᲗᲮᲔᲓᲝᲕᲐᲜᲘ), 30 ᲬᲘᲑᲝ ᲓᲐ 12 ᲬᲕᲔᲠᲝ (ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲬᲕᲔᲠᲝᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲧᲠᲘᲡ 5 ᲬᲘᲑᲝ). ᲗᲣ Ი-ᲘᲡ ᲬᲘᲑᲝᲡ ᲡᲘ�გᲠᲫᲔᲐ *a*, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ

$$V=5a^3(3+\sqrt{5})/12\approx 2{,}1817a^3.$$

ᲘᲚᲐᲜᲒᲐ-ᲘᲚᲐᲜᲒᲘ, ᲙᲐᲜᲐᲜᲒᲐ (Cananga odorata). ᲢᲐᲜᲛᲐᲚᲐᲚᲘ ᲮᲔ ᲐᲜᲝᲜᲐᲡᲔᲑᲠᲗᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲘᲡ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲢᲠᲝ�პ. ᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲨᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ. ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲘᲒᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲢᲠᲝ�პᲘᲙᲔᲑᲨᲘ. ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲓᲘᲐᲜ ᲔᲗᲔᲠᲝᲕᲐᲜ ᲬᲔᲗᲡ („ᲛᲐᲙᲐᲡᲐᲠᲘᲡ ᲬᲔᲗᲘ“) ᲓᲐ ᲞᲐᲠᲤᲘᲣᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ; ᲛᲔᲠᲥᲐᲜᲘ ᲘᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲮᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ.

ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ (ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ) ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐᲐᲮᲚ. IX Ს. I ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ. ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲫᲜᲐᲫᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ (ᲘᲡᲢ. ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ). ᲘᲧᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ.

ᲬᲧᲐᲠᲝ: ᲪᲮᲝᲠᲔᲑᲐᲨ. ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲮᲐᲜᲪᲗᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲬᲒᲜ.: ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, ᲘᲚ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲘᲡ ᲠᲔᲓ., ᲬᲒᲜ. 1, ᲗᲑ., 1963. *Ბ. ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ.*

ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ (ᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ), ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ 1801—20-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. 1808—10 ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢ. ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘᲡ, Რ-ᲘᲪ ᲬᲐᲛᲝᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. 1811 ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲡ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠ. ᲙᲔᲓᲔᲚᲘ. Ი-ᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ.

ᲚᲘᲢ.: ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ Ბ., ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ (ᲡᲐᲑᲭᲝᲠᲘᲔᲑᲘ), [Ტ.] 1, ᲗᲑ., 1966. *Ბ. ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ.*

ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ, ᲠᲣᲡᲘ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲘ ᲛᲘᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢᲘ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ (1051-ᲘᲓᲐᲜ; ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲢᲠᲝ�პᲝᲚᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ). ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲔᲙᲚ.-ᲡᲐᲣᲖᲘᲛᲝ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐ „ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲡᲐ“ (ᲓᲐᲐᲮᲚ. 1037—50), Რ-ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲘᲖᲜᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢ. ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ-ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚ. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲔᲚᲘ (ᲕᲐᲩᲔ ᲕᲐᲜᲩᲐᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ), ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ Ე�პᲘᲡᲙᲝ�პᲝᲡᲘ. ᲪᲮᲝᲠᲝᲑᲓᲐ XI Ს-ᲨᲘ. ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ *ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ* ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐᲚᲘᲡ ᲓᲐ *ᲐᲨᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ* ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ Ა�გᲔᲑᲐ. ᲐᲨᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ Ი. Ს. ᲗᲕᲘᲗ ᲕᲝᲤᲘᲚᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ. ᲘᲒᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲚᲛ. ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘ. ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙ. ᲥᲐᲠᲗ. ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲣᲭᲔᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ *ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ* ᲝᲡᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐ-



ᲘᲝᲜᲝᲡᲙᲝᲠᲘᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ: 1— ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲗᲝᲓᲘ; 2-ᲤᲐᲠᲡᲘᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐ; 3-ᲡᲐᲡᲘᲒᲜᲐᲚᲝ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐ; 4-ᲤᲝᲡᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘ; 5-ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲜᲝᲓᲘ; 6-ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲝᲓᲘ; 7-ᲛᲝᲓᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘ; 8-ᲙᲐᲗᲝᲓᲘ; 9-ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲠᲔᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ; 10-ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲛᲘᲚᲐᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲑᲐ; 11-ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ; R_d— ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲝᲠᲘ, Ო— ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲙᲐ

მთაწმიდლის მიერ ბერძნ. ენაზე დაწერილი ხოტბა-ენკომიის თავისებურად გადმოკეთებას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია, რ-ის ავტორად თეოფილე ხუცესმონაზონი არის მიჩნეული, ათონური რედაქციის გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს (კ. კეკელიძე). მოკლე რედაქცია ამ ვარაუდის გამოთქმის დროს (1919—20) არ ყოფილა გათვალისწინებული (ხელნაწერი აღმოჩნდა 1946). 2. „O. ძ. G.“ ქართ. ენაზე დაიწერა (ბ. კილანავა, მ. დოლაქიძე); მისი ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, თუმცა წყარო—თხზულების მოკლე რედაქცია—საერთო აქვთ. იგივე რედაქცია უდევს საფუძვლად სვინაქსარულსაც (ე. გაბიძაშვილი). ამ ვარაუდის თანახმად, ექვთიმე მთაწმიდლისა და თეოფილე ხუცესმონაზონის ავტორობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

„O. ძ. G.-ში“ აღწერილია ილარიონ ქართველის სამონასტრო მოღვაწეობა კახეთში, მისი მოგზაურობა პალესტინაში, რომში, კონსტანტინოპოლში, თესალონიკეასა და ბითვინიის ოლიმპზე. თხზულება საყურადღებოა ქართ. სამონასტრო კოლონიზაციის ისტ. შეხწავლის თვალსაზრისით. ის ერთადერთი წყაროა, რ-იც გვაწვდის ცნობებს IX ს-ში ბითვინიის ოლიმპზე ქართველთა მოღვაწეობისა და კონსტანტინოპოლის მახლობლად *ჰრომანის (რომანის) ქართველთა მონასტრის* დაარსების შესახებ. თხზულების მეტაფრასული რედაქცია გამოსცა მ. საბინინმა (1882), ვრცელი ათონური — მ. ჯანაშვილმა (1901), ძვ. სვინაქსარული — კ. კეკელიძემ (1919) და სხვ. რუსულად თარგმნეს ა. მურავიოვმა (1860) და მ. საბინინმა (1872), ლათინურად — პ. პეეტერსმა (1913).

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 2—4, თბ., 1967—71.

ლიტ.: დოლაქიძე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 4, თბ., 1957; კილანავა ბ., „აბოს წამების“ ატრიბუციისათვის, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1973, ტ. 69, №1.

მ. დოლაქიძე.

ილატივი (ლათ. illativus), ლოკატური ბრუნვა; აღნიშნავს საგანში შესვლას. გვხვდება ფინ.-უგრულ და იბერიულ-კავკ. ენებში. მაგ., ანდიური: შიშუ-ლა „ბოთლში“ (ისეთ საგანში, რ-იც სიცარიელეს მოიცავს); ჰინწოლ-ლ'ი „ქვაში“ (ისეთ საგანში, რ-იც მთლიანი მასაა).

ილაჯაბადი, ალაჰაბადი, ქალაქი ჩრდ. ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატში, მდ-ების განგისა და ჯამნის შესართავთან. 514 ათ. მცხ. (1971). სატრანსპ. კვანძი. კვების, მინის მრეწველობა. საკულტო საგანთა დამზადება. უნ-ტი. ინდუსების სალოცავი ადგილი. შემორჩენილია აშოკას ქვის სვეტი (დაახლ. ძვ. წ. 242), ფორტი (1583).

ილბარსი, ელბარსი, უზბეკთა დინასტიის ფუძემდებელი ხვარაზმში (სახელმწიფოს მართავდა 1511—38), ჯუჩის შთამომავლის ბერქა-ყაენის ვაჟი. 1511 ქ. ვაზირის მცხოვრებლებმა მიიწვიეს მმართველად. ხვარაზმის ქ-ებში შეკრებილი ჯარით განდევნა ირანელთა გარნიზონები ურგენჩიდან, ხივიდან და სხვ. დაიმორჩილა თურქმენები, 1524 დაიპყრო ხორასანის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ილ-დე-ფრანსი (Ile-de-France, სიტყვასიტყვით — საფრანგეთის კუნძული), ისტორიული ოლქი საფრანგეთში, მდ-ებს სენას, მარნასა და უაზს შორის. საფრ. სახელმწიფოს ბირთვი იყო (მთავარი ქ. პარიზი). X ს. დამლევს *კაპეტინგების* სამეფო დომენი გახდა. O. იყო საფრ. დიდი რევ. და XIX ს. ბურჟ. რევ. მოძრაობათა (1830, 1848, 1871) ცენტრ. რ-ნი, ჰიტლერელთა მიერ საფრ. ოკუპაციის დროს (1940—44) — საფრ. წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი.

ილდეგიზიდები, ელდეგიზიდები, ფეოდალური დინასტია აზერბაიჯანსა და ჩრდ. ირანში 1136—1225. დააარსა შამსადინ ილდეგიზმა (1136—74). აზერბაიჯანში მთავრად იჯდა ყიზილ-არსლანი, რ-იც ებრძოდა სელჩუკებს, საქართველოსა და შირვანს. O-ის ძლიერება შეარყია მონღოლთა შემოსევამ (1220—22), ხოლო ჯელალედინმა ბოლო მოუღო O-ის სახელმწიფოს (1225).

ილდეგიზიდთა მონეტა, XII—XIII სს. აზერბაიჯანის მმართველი ათაბაგების, ილდეგიზიდების მიერ მოჭრილი არასწორი ფორმის და სხვადასხვა წონის სპილენძის მონეტა. მის ერთ მხარეს ათაბაგების უშუალო სიუზერენის — ირანის სელჩუკი სულთნის და ბაღდადის ხალიფას სახელებია ამოკვეთილი. მეორე მხარეს — თვით ათაბაგის სახელი. - O. მ. აღმ. საქართველოშიც იყო გავრცელებული. აღმოჩენილია დმანისში, რუსთავში, აგრეთვე XII—XIII სს. განძებში (ლილოს, კრწანისის, თბილისის— განჯისკარის, რიყის).

ლიტ.: Босворт К. Э., Мусульманские династии, пер. с англ., М., 1971.

ირ. ჯალაღანია.

**ილე

რესად საზრდოობს თოვლის წყლით. მდ. კეიჩაკით O. დაკავშირებულია ბრისტოლის ყურესთან (ბერინგის ზღვა). მდიდარია თევზით.

ილიაშჩენკო კირილე თეოდორეს ძე [დ. 14 (27). V. 1915, სოფ. ლიპეცკოე, ახლანდ. კოტოვსკის რ-ნი, ოდესის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1945-იდან. 1939 დაამთავრა ტირასპოლის პედ. ინ-ტი. 1940 თებიდან საბჭ. არმიაშია. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში (1941—45), 1945—46 გაზ. „მოლდოვა სოჩიალისტეს" განყ-ბის გამგე. 1946—48 მოლდ. კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე. 1948—51 პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის გამგის მოადგილე. 1951—53 — მხატვრული ლიტ-რისა და ხელოვნ. განყ-ბის, 1953-66 მეცნ., სკოლებისა და კულტ. განყ-ბის გამგე. 1962—63 მოლდ. სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნ.-კელ. მუშაობის კოორდინაციის სახელმწ. კომიტეტის თავ-რე, მოლდ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1963 მარტიდან მოლდ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე, ერთდროულად (1966 აგვ-იდან) სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე. პარტიის XXIII ყრილობაზე აირჩიეს სკკპ ცენტრ. სარევიზიო კომისიის წევრად; XXIV და XXV ყრილობებზე — სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად. სსრკ VII—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ილია ჭავჭავაძის მფველავალი, კლდოვანი მწვერვალი ყაზბეგის რ-ნში (მდ-ების ხდისა და არმხის წყალგამყოფი). შავანის ქედის სამხრ. ნაწილში. სიმაღლე 3800 *მ*. 1938 ხდის ხეობიდან მწვერვალზე ავიდა ქართ. ალპინისტთა ჯგუფი ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და მას ილია ჭავჭავაძის სახელი უწოდა.

კ. ჯავრიშვილი.

ილიგანი (Iligan), ქალაქი და ნავსადგური ფილიპინებში, კ. მინდანაოზე, ილიგანის ყურეში. ლანაო-დელ-ნორტეს პროვ. ადმ. ცენტრი. 122 ათ. მცხ. (1973). შავი და ფერადი მეტალურგია (მ. შ. ფერომანგანონებების წარმოება, სპილენძისა და ალუმინის გამოდნობა), ქიმ. მრეწველობა (სასუქები და სხვ.). O-ის მახლობლად იღებენ რკინის მადანს. ჰესი.

ილიმი, მდინარე რსფსრ ირკუტსკის ოლქში, ანგარის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 589 *კმ*, აუზის ფართ. 30,3 ათ. *კმ*². სათავე აქვს და მიედინება შუა ციმბირის ზეგანზე. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 52 *კმ*-ზე 139 *მ*³/*წმ*. იყინება ოქტ. ბოლოს, ყინულძვრა — მაისის დასაწყისში. იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. სანაოსნოა პატარა გემებისათვის სოფ. ილიმსკამდე. O-ის შესართავიდან 40 *კმ* ქვემოთ, მდ. ანგარაზე აშენდა უსტ-ილიმსკის ჰესი. O-ის აუზში არის კორშუნოვსკის რკინის მადნის საბადო.

ილინგი (Ealing), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, შედის დიდი ლონდონის კონურბაციაში. 294 ათ. მცხ. (1976). მანქანათმშ. (მ. შ. ავტომშენებლობა), კვების, პოლიგრ., ქიმ. მრეწველობა.

ილინოისი (Illinois), შტატი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში. მდებარეობს ცენტრ. ვაკეების ჩრდ. ნაწილში, მიჩიგანის ტბასა და მდ-ებს ოჰაიოსა და მისისიპის შორის. ფართ. 146 ათ. *კმ*². მოსახლ. 11,2 მლნ. კაცი (1975), მ. შ. 80%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. სპრინგფილდი. უდიდესი ქალაქი და მთავარი ეკონ. ცენტრია ჩიკაგო.

ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ბორცვიან ვაკეს (სიმაღლე 378 *მ*-მდე). ჰავა ზომიერი კონტინენტურია. ნალექები 800—1000 *მმ* წელიწადში. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, ნავთობი, მლხობი შპატი და სხვ.

O. მაღალგანვითარებული ინდუსტრ.-აგრ. შტატია. მრეწვ. წამყვანი დარგებია: რადიოელექტრონიკა, ელექტროტექნიკა, სამრეწვ. და საშენი მოწყობილობის, სას.-სამ. იარაღის წარმოება, ლოკომოტივთა და ვაგონთმშენებლობა (ჩიკაგო, როკ-ფორდი, როკ-აილენდი, პეორია), შავი მეტალურგია (უმთავრესად ჩიკაგო), ნავთობგადასამუშ., ქიმ. და ხორცსაკონსერვო (ჩიკაგო, ისტ-სენტ-ლუისი), აგრეთვე პოლიგრ., სამკერვალო და სპირტსახდელი მრეწველობა. O. შედის „სიმინდის სარტყელში". მოჰყავთ სიმინდი (II ადგილი აშშ-ში), სოია (I ადგილი), აგრეთვე ხორბალი, შვრია, საკვები ბალახი. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის 50%-ზე მეტს იძლევა მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ღორი, ცხვარი).

ილინოისის არხი (Illinois Waterway), წყლის გზა აშშ-ში, აკავშირებს დიდი ტბების სისტემასა და მდ. მისისიპის აუზს. იწყება მიჩიგანის ტბიდან, ქ. ჩიკაგოსთან, მიემართება მდ-ების დეს-პლენზისა და ილინოისის გასწვრივ, ამ უკანასკნელის მისისიპისთან შეერთებამდე. O. ა. წელიწადში ატარებს 20 მლნ. ტ-ზე მეტ ტვირთს.

ილინსკი იგორ ვლადიმერის ძე [დ. 11 (24). VII. 1901, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1949), სოციალ. შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1960-იდან. სწავლობდა თ. კომისარჟევსკის სტუდიაში (1917). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1918 ვ. კომისარჟევსკაიას სახ. თეატრში. 1920-იდან მუშაობდა მეიერხოლდთან. ამ პერიოდში შესრულა როლები: პრისიპკინი (მაიაკოვსკის „ბაღლინჯო"), არკაშკა სჩასტლივცევი (ოსტროვსკის „ტყე"), რასპლიუევი (სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება") და სხვ. კინოში ითამაშა ტაპიოკი („პროცესი სამ მილიონზე", 1926), ფრანც შულეი („წმინდა იორგენის დღესასწაული", 1930), ბივალოვი („ეოლგა-ვოლგა", 1938), ოგურცოვი („საკარნავალო ღამე", 1956) და სხვ. 1938-იდან მცირე თეატრის მსახიობია. შესრულებული აქვს სლესტაკოვის (გოგოლის „რევიზორი"), შმაგას, იუსოვის (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი" და „შემოსავლიანი ადგილი"), თომა ოპისკინის (დოსტოევსკის „სოფელი სტეპანჩიკოვოს" მიხედვით) და სხვ. როლები. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1942, 1951). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

„ილიონი", ქართული ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1922—23 თბილისში. სცემდა „ილიონის" მწერალთა ჯგუფი. გამოვიდა: 1922—№№ 1, 2, 3; 1923—№ 4. ჟურნალში დაბეჭდილია კ. გამსახურდიას, ვ. გორგაძის, დ. აგლაძის, ა. ჭუმბაძის, ს. ფაშალიშვილისა და სხვ. მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, ლიტ. და ბიბლიოგრაფიული სტატიები. რედ. — კ. გამსახურდია.

ი. ლორთქიფანიძე.

ილირია (Illyricum), 1. ილირიული ტომის — არდიების ტერიტორია, რ-იც ძვ. წ. 167 რომაელებმა დაიპყრეს (Illyricum regnum); ძვ. წ. 148 O. შევიდა რომის პროვინციის—მაკედონიის შემადგენლობაში. 2. რომის პროვინცია, რ-იც შეიქმნა დანარჩენი ილირიული ტომების ტერიტორიაზე, ალბათ ძვ. წ. II ს-ში (არა უგვიანეს ძვ. წ. I ს. შუა წლებისა). ახ. წ. 8 ეს ტერიტ. ორ ნაწილად გაიყო: ზემო O. — დალმაცია და ქვემო O. — პანონია. 3. რომის იმპერიის პერიოდში საბაჟო ოლქი, რ-იც მოიცავდა დუნაისპირა პროვინციებს: რეციას, ნორიკუმს, პანონიას, დაკიას, დალმაციას, მეზიას. ახ. წ. III ს. ბოლოს, იმპ. დიოკლეტიანეს დროს, O. დაყვეს დას. O-დ (I. occidentale) და აღმ. O-დ (I. orientale). O-ს იმპერიისათვის დიდი სამეურნეო და სამხ.-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ილირიელები (ბერძნ. Illyrioi), ინდოევროპული ჯგუფის ძვ. ხალხები. ცხოვრობდნენ ბალკ. ნ.-კ-ის ჩრდ.-დასავლეთსა და ნაწილობრივ აპენინის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ-ში. პირველად იხსენიებიან ჰეკატეოს მილეტელთან (ძვ. წ. VI ს.) და ჰეროდოტესთან (ძვ. წ. V ს.). O-ის დასახლების ადგილებში ბერძნები ძვ. წ. VII—III სს-ში კოლონიებს აარსებდნენ. თავდაპირველად O. თავიანთ ციხესიმაგრეებს დაუმუშავებელი ქვისაგან აგებდნენ, შემდეგ კი ბერძნებისაგან ისწავლეს კედლების თლილი ქვით შენება და საკურთხევლების ქანდაკებებით შემკობა. ძვ. წ. III ს. დასაწყისში კელტებმა O-ის ნაწილი დაიმორჩილეს, რის შედეგადაც წარმოიქმნა ილირიულ-კელტური ტომების ჯგუფი. ძვ. წ. III ს-ში O. ძირითადად პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესში იმყოფებოდნენ, მხოლოდ სამხრ. ილირიულ ტომებში შეინიშნებოდა ადრინდ. კლასობრივი წარმონაქმნები. ამ ტომებიდან დაწინაურდნენ არდიები, რ-ებმაც ძვ. წ. III ს. შუა წლებში მეზობელი ტომები დაიმორჩილეს და ვრცელი სახელმწიფო შექმნეს (დედაქალაქი სკოდრე, ახლანდ. შკოდერი). ე. წ. ილირიული ომების შედეგად ძვ. წ. 167 რომაელებმა დაიპყრეს არდიების სახელმწიფო და შემდგომში (ძვ. წ. 148) რომის პროვინციის — მაკედონიის — შემადგენლობაში შეიყვანეს. ძვ. წ. I ს. და ახ. წ. I ს-ში რომაელებმა O. საბოლოოდ დაიპყრეს, რამაც დააჩქარა O-ის რომანიზაცია (განსაკუთრებით სანაპიროზე და ქ-ებში). *ხალხთა დიდი გადასახლების* დროს O-მა ასიმილაცია განიცადეს; გაქრა ძვ. ილირიული ენა. ზოგიერთ მკვლევარს ძვ. O-ის შთამომავლებად ახლანდ. ალბანელები მიაჩნია. O-ის კულტ. ძეგლები გვხვდება ავსტრიაში, იტალიაში, ალბანეთსა და იუგოსლავიაში.

ლიტ.: Сапридова И. Н., Иллирийские племена в конце I в. до н. э.— в нач. I в. н. э., «Ученые записки Московского гос. педагогического ин-та им. В. И. Ленина», 1960, № 153 [а].

ილირიზმი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა XIX ს. 30—40-იან წლებში ხორვატიაში, სლავონიასა და ნაწილობრივ სხვა სამხრეთ-სლავურ ოლქებში. სათავეში ედგა ლიბერ. თავადაზნაურობა და მასთან დაკავშირებული ინტელიგენცია. O-ის წამყვანი იდეაა „დიდი ილირიის" სახელმწიფოს შექმნა, რ-შიც გაერთიანდებოდა მთელი სამხრეთ სლავური და ნაწილობრივ არასლავური ოლქები (ამ ოლქების მოსახლეობას O-ის მიმდევრები ძვ. *ილირიელების* შთამომავლებად თვლიდნენ). პოლიტ. გაერთიანების საწინდარს ისინი ხედავდნენ სამხრ-ის სლავი ხალხების ენობრივ-ლიტ. დაახლოებაში. XIX ს. 40-იან წლებში O-მა პოლიტ. სასიათი მიიღო. O-ის მიმდევრების ლიბერ. ნაწილმა (ლ. გაი, ი. კუკულევიჩ-საქცინსკი, ლ. ვუკოტინოვიჩი და სხვ.) მოითხოვა უნგრ. სამეფოს შიგნით ხორვატიისა და სლავონიის ავტონომია, ხორვ. ენის ოფიციენად გამოცხადება, ხორვ. მიწების (ხორ-

ი. ილინსკი.

ი. ი ლ ი ნ ს კ ი ბივალოვის როლში (ფილმი „ეოლგა-ვოლგა", 1938).

ილირიელები, ბრინჯაოს სიტულა ვაჩედან (სლოვენია), ფრიზიხ ფრაგმენტი, დაახლ. ძვ. წ. 500 წ. ეროვნული მუზეუმი, ლიუბლიანა.

ს. ილიუშინი.



ილტოს არქეოლოგიური ძეგლები. 1. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახ. 2. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. II ათასწლ. I ნას. საქ. სსრ მეცნ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და უთნოგრაფიის ინ-ტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი თბილისი

ვატია, სლავონია, დალმაცია) გაერთიანება, ფეოდ. ბეგარის გაუქმება და სხვ. 1848 რევ. დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვების შემდეგ O-მა კრახი განიცადა. მან დადებითი როლი შეასრულა სამხრეთის სლავი, განსაკუთრებით ხორვატი ხალხის კულტურისა და ლიტ-რის განვითარებაში, ეროვნ. თვითშეგნების ზრდაში.

ბ. კიღურაძე.

ილირიის პროვინციები (Les Provinces Illyrienes), საფრანგეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი სახელმწიფოებრივი გაერთიანება (1809—14). შედგებოდა პრესბურგის 1805 და შენბრუნის 1809 ზავის თანახმად საფრანგეთისთვის გადაცემული სლოვენური და ხორვატული მიწებისაგან. O. პ. ეწოდა ამ ტერიტორიების უძველეს მკვიდრთა — *ილირიელების* სახელის მიხედვით. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთთან ომში (1812) ავსტრიამ 1813 მოახდინა O. პ-ის ოკუპაცია. ვენის კონგრესის 1814—15 გადაწყვეტილებით O. პ. ავსტრიას მიეკუთვნა.

ილირიული ენა, აწ მკვდარი ინდოევროპული ენა. გავრცელებული ყოფილა ბალკანეთის ნ.-კ-ზე. წერილობითი ძეგლები არ შემორჩენილა. O. ე-ზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ბალკ. ტოპონიმიკისა და თანამედროვე ენებში დადასტურებული ილირიული ძირების მიხედვით. ვარაუდობენ, რომ O. ე. ან თრაკიული ენა წარმოადგენს თანამედროვე ბალკ. ალბანური ენის უშუალო წინაპარს.

ლიტ.: **Гиндин Л. А., Язык древнейшего населения юга Балканского полуострова, М., 1967.**

ილიუშინი სერგეი ვლადიმერის ძე [18 (30). III. 1894, სოფ. დილიალეკო, ვოლოგდის გუბ., — 9. II. 1977, მოსკოვი], საბჭ. ავიაკონსტრუქტორი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968), გენ.-პ.-ინჟინერი (1967), სამგზის სოციალ. შრომის გმირი (1941, 1957, 1974). სკკპ წევრი 1918-იდან. დაამთავრა ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია (1926). 1931 ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა საკონსტრუქტორო ბიუროს, რ-იც მუშაობდა მოიერიშე, ბომბდამშენ და სამგზავრო თვითმფრინავების შექმნაზე. O-ის მიერ შექმნილია მრავალი ტიპის თვითმფრინავი. პირველი საბრძოლო თვითმფრინავებით (ცკბ-26, ცკბ-30, ცკბ-30 ფ) დამყარებული იყო სიმაღლის მსოფლიო რეკორდები, ხოლო 1938—39 მოეწყო ძირსდაუშვებლად გადაფრენა მარშრუტით: მოსკოვი-ვლადივოსტოკის რ-ნი და მოსკოვი — კ. მისკუ (აშშ). 1939 O-მა შექმნა ჯავშნიანი მოიერიშე თვითმფრინავი ილ-2, 1943 — ილ-8, ილ-10, ილ-16 და ავიაციის ისტორიაში პირველი რეაქტიული მოიერიშე თვითმფრინავი ილ-40, პირველი სამამულო რეაქტიული ბომბდამშენი ილ-28 (1948). მრავალადგილიანი ტურბოხრახნიანი ილ-18 (1957) იქცა ძირითად სამგზავრო თვითმფრინავად, ხოლო ტურბოვენტილატორიანი ტრანსკონტინენტური ილ-62 (1962) — აეროფლოტის ფლაგმანად. O-მა შექმნა თვითმფრინავთმშენებლობის საკუთარი სკოლა. სსრკ I—VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სსრკ სახელმწ. პრემიისა (1941, 1942, 1943, 1946, 1947. 1950, 1952) და ლენინური პრემიის (1960) ლაურეატი. დაჯილდოებულია 8 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: **ИЛы на службе Родины, «Авиация и космонавтика», 1968, №№ 5, 10; 1969, №№ 5, 6.**

ლიტ.: **Асташенков П. Т., Конструктор легендарных ИЛов, М., 1970.**

ილიჩოვსკი, ქალაქი (1973-იდან) უკრ. სსრ ოდესის ოლქში. სსრკ-ის დიდი საავჭრო ნავსადგური შავი ზღვის ჩრდ.-დას. ნაპირზე, ოდესიდან 26 *კმ.* გემთშემკეთებელი, რკინაბეტონის კონსტრუქციების ქნები. ტვირთბრუნვით ერთ-ერთი უდიდესია შავ ზღვაზე. 1978-იდან O. მსოფლიოში უდიდესი საერთაშ. საზღვაო სარკინიგზო ბორნით დაუკავშირდა ნავსადგურ ვარნას (ბულგარეთი).

ილმაზლო, სოფელი მარნეულის რ-ნში (ქაფანახჩის სოფსაბჭო), მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 300 *მ,* მარნეულიდან 25 *კმ.* ალგეთის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა.

ილმენი (მატიანის მიხედვით ი ლ მ ე რ ი, ძვ. სლავურად — ს ლ ო ვ ე ნ ს კ ო ე მ ო რ ე), ტბა რსფსრ ნოვგოროდის ოლქში. მდებარეობს ილმენისპირა დაბლობის ყველაზე დადაბლებულ ნაწილში, 18 *მ* სიმაღლეზე. ფართ. (საშ. დონეების დროს) 982 *კმ²,* სიგრძე დაახლ. 45 *კმ,* სიგანე 35 *კმ*-მდე. ნაპირები უმთავრესად დაბალი და დაჭაობებულია; ჩრდ.-დას. ნაპირს გასდევს სერები. კირქვით ნაგები სამხრ.-დას. ნაპირი ციცაბოა. O-ს ერთვის დაახლ. 50 მდინარე, მ. შ. მსტა, პოლა, ლოვატი, ფსიჟა, შელონი. ტბიდან გამოდის მდ. ვოლხოვი. წყლის დონე მატულობს მაისში, კლებულობს მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში. სიღრმე 3—4 *მ*-იდან 6—10 *მ*-მდე. ფსკერი ბრტყელი აქვს, წყალი მოყვითალო ფერისაა. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა — აპრ-ში. მდიდარია თევზით.

ილმენისპირა დაბლობი, ი ლ მ ე ნ ვ ო ლ ხ ო ვ ი ს დ ა ბ ლ ო ბ ი, დაბლობი სსრკ ევრ. ნაწილის დას-ით. სიმაღლე 40—50 *მ.* O. დ. ფართო ტერასებად ეშვება მის ცენტრ. ნაწილში მდებარე ილმენის ტბისაკენ. დაბლობი უმთავრესად მდებარეობს შერეული ტყის ქვეზონაში, ჩრდ. ნაწილი — ტაიგის ქვეზონაში. ჭაობს დიდი სივრცე უკავია.

ილმენიტი (სახელი ეწოდა ილმენის მთების მიხედვით), ჟანგეულების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $FeTiO_3$, Fe^{2+} ჩანაცვლებულია იზომორფულად Mg^{2+} და Mn^{2+}. კრისტალდება ტრიგონურ სინგონიაში. აქვს რთული რომბოედრული კრისტალები. გავრცელებულია O-ის შავი მკვრივი მარცვლოვანი მასები. გაუმჭვირვალეა; აქვს ნახევრად ლითონური ელვარება. მაგნიტურია. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 5—6; სიმკვრივე 4600—4800 *კგ/მ³.* გვხვდება გაბროს ჯგუფის მაგმურ ქანებთან და სხვ. ქიმიურად მდგრადია, გროვდება ქვიშრობებში. სსრკ-ში O-ის საბადოები ცნობილია ურალზე, ალთაიზე, კოლის ნ.-კ-სა და უკრაინაში. O. ტიტანის მნიშვნელოვანი მადანია.

ილოილო (Iloilo), ქალაქი და ნავსადგური ფილიპინებში, პანაის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, გიმარასის სრუტის ნაპირზე. ილოილოს პროვ. ადმ. ცენტრი. 233 ათ. მცხ. (1973). გემთსარემონტო დოკები. კვებისა და სამკერვალო მრეწველობა. შაქრის ექსპორტის ერთ-ერთი ცენტრი.

ილოკები, ი ლ ო კ ა ნ ე ბ ი, უმთავრესად კ. ლუსონის (ფილიპინები) დას. სანაპიროზე, აგრეთვე მდ. კაგაიანის ხეობასა და კ. მინდანაოს საზღვრისპირა რ-ნებში მცხოვრები ხალხი. ნაწილი სახლობს ფილიპინების გარეთ (ჰავაის კ-ები, კ. გუამი, კალიფორნია). საერთო რაოდ. დაახლ. 5,0 მლნ. კაცი (1973, შეფასება). O-ის ენა ეკუთვნის ინდონეზიურ ენათა ჯგუფს. რელიგია — კათოლიკობა. ინარჩუნებენ წინაქრისტ. რწმენათა კადმონაშთებს. ძირითადი საქმიანობაა სარწყავი მიწათმოქმედება (ბრინჯი, სიმინდი, ბატატი, შაქრის ლერწანი, თამბაქო, ბამბა და სხვ.) განვითარებულია ხელოსნობა-ხითხუროობა, ოქრომჭედლობა და სხვ.

ილორგანი, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (ოხურეის სოფსაბჭო), მდ. ღალიძგის ნაპირებზე. ზ. დ. 20 *მ,* ოჩამჩირიდან 6 *კმ.* ოხურეის შოთა რუსთაველის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ილორში (4 *კმ*).

ილორი, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში, შავი ზღვის ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: O., ზენი, ნაგვალოუ, ოხურეი, სუკი). ზ. დ. 10 *მ,* ოჩამჩირიდან 3 *კმ.* კოლ-ბა „კომკავშირი" (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, კულტსახლი, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. O. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. შუა საუკ. ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა.

სოფლის შუაგულში აღმართული XI ს. I მეოთხედის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ილორის წმ. გიორგის ეკლესია, დას. საქართვ. უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექ. დონით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რ-შიც ჩანს შუა საუკ. საქართვ. წამყვანი რ-ნების მხატვრული მისწრაფებანი. O-ის ეკლესია აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რ-საც ჩრდ., სამხრ. და დას-იდან სხვადასხვა ხანის მინაშენები აქვს. აღმ. ფასადზე შემონახულია ძვ. ქართ. წარწერებიანი 5 ქვა, რ-ებიც ასევე XI ს. I მეოთხედით თარიღდება. XVII ს-ში O-ის ეკლესია ლევან II დადიანმა შეაკეთა. 1736 დაწვეს თურქებმა. აღადგინეს ოდიშის მთავრებმა. ძეგლი საფუძვლიანად შეაკეთეს XIX ს. 40-იან წლებში. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გვიანდ. ანტიკური—ადრინდ. ფეოდ. ხანის ციხესიმაგრის ნაშთები.

ილორინი (Ilorin), ქალაქი სამხრ.-დას. ნიგერიაში, კვარის შტატის ადმ. ცენტრი. 282 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (ზეთის პალმა, ჩინური კარტოფილი, სიმინდი, მეცხოველეობა) სავაჭრო ცენტრი. შაქრის, თამბაქოს, ასანთის ფ-კები. თუნის ნაკეთობათა წარმოება.

ილოროგა, წმინდა გიორგის სახელობის დღესასწაული. იმართებოდა 20 ნოემბერს სოფ. ილორში (ოჩამჩირის რ-ნი) წმ. გიორგის ეკლესიაში (XI ს.). XVII—XVIII სს. მონაცემებით, დღესასწაულის წინა საღამოს სამეგრელოს მთავარი სამღვდელოებისა და დიდებულების თანხლებით, შემოუვლიდა ეკლესიის გალავანს, მის შემოგარენს და შესასვლელს საკუთარი ბეჭდით დაბეჭდავდა. მეორე დილით, ისევ მხლებლების თანხლებით, მთავარი თვითონვე ხსნიდა საბეჭდავს. მლოცველებს ეზოში ხვდებოდა ხარი (ხალხური წარმოდგენით წმ. გიორგის სახ. ცხოველი), რ-იც თითქოს ღამით სასწაულებრივად შეჰყავდა წმინდანს. ხარს კლავდნენ და ხორცის ნაჭრებს მლოცველებს ურიგებდნენ. მორწმუნეები მას დიდი სასოებით ინახავდნენ როგორც ბოროტისა და ავი სენისაგან დამცველს. გადმოცემით, ძველად ხარის მაგივრად ტაძარში შემოდიოდა სამსხვერპლო ირემი. ილორის წმ. გიორგისა და მისი დღეობის ძალა აღიარებული ყოფილა მთელს დას. საქართველოში და რიგ მეზობელ ხალხებში.



ილორი. წმ. გიორგის ეკლესია. სამხრეთ-აღმოსავლეთის ხედი. XI ს. პირველი მეოთხედი.

წყარო: **ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი,** სამეგრელოს აღწერა, თარგმ. იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938; **ვ ა ხ უ შ ტ ი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ჟან შარდენის მოგზაურობა

სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიc თბ., 1975.

ლიტ.: Джанашиа Н. С., Статьи по этнографии Абхазии, Сух., 1960.

ირ. სურგულაძე.

ილტო, მდინარე აღმ. საქართველოში (ალაზნის მარჯვ. შენაკადი). სათავე აქვს კახეთის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 2120 *მ*. სიგრძე 43 *კმ*, აუზის ფართ. 337 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა — ზამთარში. ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნა. საშ. ხარჯი 6,5 *მ*³/*წმ*. ილტოდან გაყვანილია მატნის არხი, რ-იც 1190 *ჰა* ფართობს რწყავს.

ი. აფხაზავა.

ილტოზა, სოფელი დუშეთის რ-ნში (მჭადიჯვრის სოფსაბჭო), ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, ქსნის ხეობაში. ზ.დ. 850 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. მჭადიჯვრის მევენახეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ოძისში (2 *კმ*). სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია (ი რ ტ ო ზ ა) XVII ს-ში. შემორჩენილია ფეოდ. ხანის ეკლესიისა და კოშკის ნანგრევები.

ილტოს არქეოლოგიური ძეგლები, ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი და სამაროვანი, გვიანდელი ბრინჯაოს, გვიანდელი ანტიკური ხანის სამარხები ქ. ახმეტის დას-ით 4 *კმ*-ზე, მდ. ილტოს მარცხ. ნაპირას. გაითხარა 1965—67 (შ. დედაბრიშვილი). ნამოსახლარი მთის ფერდობზე ტერასებად იყო განლაგებული. არქეოლოგიურად შესწავლილია 4 კულტ. ფენა. I ფენა ადრინდ. ბრინჯაოს ხანისაა. მასში აღმოჩნდა გეგმით სწორკუთხა, თიხატკეპნილიატაკიანი ნაგებობების ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები და ამავე ხანის რამდენიმე ორმოსამარხი. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი. II ფენა შეიცავდა ადრინდ. ბრინჯაოსა და შუა ბრინჯაოს ხანის ნაშთებს. III ფენაში იყო მხოლოდ შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა. I—III ფენები ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ.—III და II ათასწლ. მიჯნით თარიღდება. ამ დროის ნამოსახლარი მნიშვნელოვან დასახლ. პუნქტს წარმოადგენდა. ზედა, IV ფენა შეიცავდა ერთმანეთში შერეულ სხვადასხვა დროის (ადრინდ. და შუა ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის, ანტ. და ფეოდ. ხანის) კერამიკას. აღმოჩენილი ჭურჭელი 2 ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. მოყავისფრო ან მურა ფერის მრავალრიცხოვანი სამზარეულო, უხეშად ნაძერწი ჭურჭელი; 2. სუფრის ან პარადული სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ჭურჭელი. ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მასალა ე. წ. *მტკვარ-არაქსის კულტურის* სფეროს განეკუთვნება, შუა ბრინჯაოს ხანის მასალა კი *ფრიალეთის კულტურის* მასალის მსგავსია.

აქვე გამოვლინდა კენოტაფი, რ-იც შუა ბრინჯაოდან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს ეკუთვნის. გათხრილია აგრეთვე გვიანდ. ბრინჯაოს ადრეული საფეხურისა და გვიანდ. ანტ. ხანის ორმოსამარხები. მიცვალებულები ესვენენ გვერდზე, ხელფეხმოკეცილნი. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ჭურჭელი, ანტ. ხანის სამარხებში — ბრინჯაოს სამკაულიც.

ლიტ.: Дедабришвили Ш. Ш., Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды Кахетинской археологической экспедиции, т. 1, Тб., 1969.

შ. დედაბრიშვილი. ე. გოგაძე.

ილტოს ნამოსახლარი, ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი სოფ. ახმეტის დას-ით 4 *კმ*-ზე. იხ. *ილტოს არქეოლოგიური ძეგლები.*

ილუზია (ლათ. illusion), 1. ობიექტის არაადეკვატური, მცდარი აღქმა. 2. განუხორციელებელი იმედები, ოცნებები. Ი. ხშირად გაუცნობიერებელი და ნებისადმი დაუქვემდებარებელია. გამომწვევი მიზეზის მიხედვით განარჩევენ Ი-ების 3 ჯგუფს: ფიზიკურს (მაგ., წყალში ნაწილობრივ ჩაშვებული ჯოხი გადატეხილად მოჩანს წყალსა და ჰაერში სინათლის გარდატეხის კუთხეების განსხვავების გამო), ფიზიოლ. (მაგ., მხედველობითი კვალის მოვლენები) და ფსიქოლ. (მაგ., შარპანტიეს, ზანდერის, მარბეს Ი-ები). Ი-ს ადგილი აქვს სხვადასხვა მოდალობის აღქმებში; იგი ჰალუცინაციებისაგან განსხვავდება აღქმის ობიექტის რეალური მოცემულობით. ჟ. პიაჟეს მიხედვით, ფსიქოლოგიური Ი. 2 სახისაა: უშუალო, რ-იც ექვემდებარება პერცეპტული აქტივობის მარეგულირებელ გავლენას და ამიტომ ასაკთან ერთად სუსტდება, და გაშუალებული, რ-იც გამოცდილების გავლენით აღმოცენდება და ასაკთან ერთად ძლიერდება. დ. უზნაძის ფსიქოლ. კონცეფციის მიხედვით, Ი-ები განწყობისა და სიტუაციის შეუსატყვისობის პირობებში წარმოიქმნება, ამიტომ შესაძლებელია მათი გამოყენება განწყობის შესასწავლად. Ი-ის მოვლენების გათვალისწინებითა და გამოყენებით ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში აღწევენ გარკვეულ გამომსახველობით ეფექტებს.

სამედიცინო თვალსაზრისით, Ი-ის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის ფსიქ. და ფიზ. მდგომარეობა (მაგ., დაღლა, შიში).

ლიტ.: უ ზ ნ ა ძ ე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, «ფსიქოლოგიის ინ-ტის შრომები», 1949, ტ. 6; Грегори Р. Л., Глаз и мозг, М., 1970; Carraher R. G., Thurston J. B., Optical illusions and the visual arts, N. Y., 1966; Piaget J., Les mécanismes perceptifs, P., 1961.

ნ. ადამაშვილი.

ილუზიონიზმი (ფრანგ. illusionisme <ლათ. illusio — მოტყუება) ს ა ხ ვ ი თ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი, ხილული სამყაროს იმიტაცია, საგნებისა და სივრცის რეალურად არსებობის შთაბეჭდილების შექმნა. Ი-ის ხერხით მხატვარი ცდილობს წაშალოს ზღვარი გამოსახულების პირობით სამყაროსა და სინამდვილეს შორის. Ი. წარმოიშვა ანტ. ფერწერაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა *რენესანსის* ხელოვნებაში, ერთ-ერთი მთავარი პრინციპი გახდა *ბაროკოს* მონუმ.-დეკორ. ხელოვნებაში.

ილუზიონიზმი, საცირკო და საესტრადო ხელოვნების სახეობა. ილუზიის შესაქმნელად მსახიობი იყენებს სპეც. აპარატებს— ორფსკერიან ყუთებს, ოპტ. ხელსაწყოებს და სხვ., აგრეთვე ისეთ მოვლენებს, რ-ებიც მხედველობის მცდარობას ემყარება. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების (უპირველეს ყოვლისა თითების) მარჯვე მოძრაობასაც. Ი-ის ხერხებს უძველეს დროში ქურუმები იყენებდნენ, ხოლო XVII — XVIII სს. ბაზრობებზე — მოხეტიალე მსახიობები, რ-ებიც მექანიზმების დახმარებით ხალხს ათასგვარ „სასწაულს“ უჩვენებდნენ. XX ს. ილუზიონისტები რთულ ეფექტებზე და ტრიუკებზე დაჯრდნობით ცდილობენ შექმნან დიდი რევიუ, შეაქვთ მასში კომ. და თეატრ. ელემენტები. ცნობილი ილუზიონისტებია: ჟ. ჟ. პინეტი, ჯ. ბ. ბოსკო (იტალია), რ. კეფალო, დანტე, ტაფტი (აშშ), ჟ. ე. რობერ-უდენი (საფრ.), ე. კიო, მისი შვილები ე. და ი. კიო, ალიგადი, ო. რატიანი (სსრკ) და სხვ.

ლიტ.: Кио, Иллюзионисты и «волшебники», М., 1959; Мосиоев, Фокусы и фокусники, М., 1958.

ილუმინატორი (ლათ. illuminator — გამნათებელი), გემის კორპუსის ან ზედნაშენის მინაჩასმული ფანჯარა შიგა სათავსის განათებისა და ვენტილაციისათვის. გემის Ი. არის მრგვალი (ბორტისა და ჯიხურისა) და მართკუთხა (ჯიხურისა), ყრუ და გასახსნელი, რ-ებსაც ხშირად წყალშეუღწევი ხუფი აქვთ. Ი. ჰქვია აგრეთვე

ილურატი. თავდაცვითი კედელი და კოშკში შესასვლელი.

წყალქვეშა საკვლევი აპარატის, თვითმფრინავის, შვეულმფრენის, კოსმ. ხომალდისა და სხვათა მრგვალ ფანჯრებს.

ილურატი, I—III სს. გაბაგრებული ნამოსახლარი ქ. ქერჩის საშხრ.-დას-ით 17 *კმ*-ზე, ბოსფორის სამეფოს ტერიტორიაზე, მნიშვნელოვანი დამცველი პუნქტი პანტიკაპეიონის მისადგომებთან. გათხრებმა (1948, ვ. გაიდუკევიჩი, 1975-იდან ი. შურღაია) გამოავლინა ძლიერი თავდასაცავი კედლები, კოშკები, კარიბჭე, ქუჩები, საცხოვრ. უბნები. მოსახლ. ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ყოფილა. სახლში ჰქონიათ საწყობები, მარცვლეულის შესანახი ორმოები, ბოსელი. აღმოჩენილია შრომის იარაღი, ხელოსნობის ნაწარმი, კერამიკა. III ს. 60-იან წლებში გუთებისა და ბორანების შემოჭრის შედეგად Ი. განადგურდა.

ლიტ.: Гайдукевич В. Ф., Илурат (итоги археологических исследований 1948—1953 гг.), *კრ.:* Боспорские города, М.—Л., 1958.

ილურიძე კონსტანტინე მიხეილის ძე (დ. 10. V. 1910, სოფ. მეჯვრისსევი, გორის რ-ნი), წარმოების ნოვატორი, თბილ. ელექტროვაგონშემკეთებელი ქ-ნის სამჭედლო საამქროს მჭედელი (1930-იდან), სოციალ. შრომის გმირი (1959). სკკპ წევრი 1939-იდან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.



ილუზიონიზმი. პ. ბ ო გ ო მ ო ლ ო ვ ი ი. „წიგნები“. 1737. კერამიკისა და „XVIII ს. კუსკოვოს მამულის“ მუზეუმი. მოსკოვი.

კ. ილურიძე.

ილუსტრაცია (ლათ. illustratio — გაშუქება-განმარტება, თვალსაჩინო გამოსახულება), 1. ახსნა-განმარტება თვალსაჩინო მაგალითებით. 2. გამოსახულება, რ-იც ახლავს და ავსებს ლიტერატურულ ტექსტს (ნახატი, გრავიურა, ფოტოსურათი, რეპროდუქცია, რუკა, სქემა და ა. შ.). 3. ხელოვნების დარგი, რ-იც დაკავშირებულია ლიტ. და სამეცნ. ნაწარმოებების გამოსახვით განმარტებასთან. თავდაპირველად ხელნაწერების ილუსტრირება ხდებოდა მინიატიურებით (იხ. *მინიატიურა*). წიგნის ბეჭდვისა და ქსილოგრაფიის გამოგონების შემდეგ Ი. გრაფიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა. ყველაზე ადრე ქსილოგრაფიული Ი. გაჩნდა ჩინეთში VI—VII სს-ში, განსაკუთრებით განვითარდა XII ს-ში. ამ დროის ჩინ. Ი. გამოირჩეოდა ლაპიდარული გამომსახველობითი ხერხებით. XVI ს. დასასრ. ჩინეთში გაჩნდა ფერადი გრავიურა ხეზე. იაპონიაში წიგნის გრაფიკა აღმოცენდა XVII ს-ში, აყვავდა XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყისში.

ევროპაში ქსილოგრაფიული Ი. XV ს-ში ჩაისახა; თავდაპირველად იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მინიატიურასთან. XVI ს-იდან მხატვრები ცდილო-

ილუსტრაცია. ვ. ფ ა ვ ო რ ს კ ი. ილუსტრაცია წიგნისა „რუთი“. ქსილოგრაფია. 1924.

ილუსტრაცია. პ. პიკასო. არისტოფანეს „ლისისტრატეს“ ილუსტრაცია. ტუში. კალამი. 1934.

ბდნენ გადმოეცათ სივრცე, მიელწიათ ფერწერული ეფექტებისათვის. შუა საუკ. და აღორძინების ეპოქის საუკეთესო ოსტატები იყვნენ: ა. დიურერი, ჰ. ბალდუნგ გრინი, ჰ. ჰოლბაინ უმცროსი, ლ. კრანახ უფროსი გერმანიაში; უ. გრაფი შვეიცარიაში; ი. სვარტი, ლუკა ლეიდენელი ნიდერლანდებში; ბ. სალომონი, ჟ. დიუვე საფრანგეთში; XVI—XVII სს-ში ჩნდება რუს., უკრ., ბელორ. ქსილოგრაფიული ი. XVIII ს-ში ი. უფრო მეტად დაუკავშირდა წიგნის შინაარსს (ი. გრავლო, ჟ. მ. მორო, შ. ეიზენი, ფ. ბუშე, ო. ფრაგონარი საფრანგეთში; დ. ნ. ხოდოვეცკი გერმანიაში; უ. ჰოუგართი ინგლისში; ჯ. პიაცეტა იტალიაში). XIX ს-ში სამეცნ. ი-ის ნიმუშებს ქმნიან: ტ. ბიუიკი ინგლისში, ჯ. ოდიუბონი აშშ-ში. XVIII—XIX სს. მიჯნაზე გამოიგონეს უფრო მოქნილი და იაფი გამომსახველობითი ტექნიკა — ტორსული გრავიურა ხეზე („პოლიტიპაჟი“) და ლითოგრაფია. XIX ს-თვის დამახასიათებელია როგორც ცალკე ფურცლებზე შესრულებული, ასევე ტექსტში ჩართული კომპოზიციები, მახვილი სატირული ი-ები შექმნეს ო. დომიემ; პ. გავარნიმ და სხვ. საფრანგეთში; XIX ს. დასასრ. გაიზარდა ილუსტრატორთა ტექ. შესაძლებლობანი, მაგრამ ხშირად იკარგებოდა ერთიანობა წიგნსა და ი-ს შორის. ამ მოვლენის წინააღმდეგ იბრძოდა ინგლისში უ. მორისი (უ. კრეინთან ერთად). დახვეწილი დეკორ. სტილიზაცია და ფურცლის სიბრტყის ფაქიზი შეგრძნება ახასიათებდა „მოდერნისა“ და ეროვნ.-რომანტ. მიმდინარეობის მხატვრებს: ბერდსლის ინგლისში, ე. პოლენოვას, ვ. ვასნეცოვს, ი. ბილიბინს — რუსეთში. ი-ის მჭიდრო კავშირს ტექსტთან წარმატებით აღწევდნენ რუსეთში „მირ ისკუსსტვას“ მხატვრები: ა. ბენუა, მ. დობუჟინსკი, ე. ლანსერე. XIX—XX სს-ში აღსანიშნავია დ. ვიერჟის (საფრანგეთი), მ. ვრუბელის, ლ. პასტერნაკის, დ. კარდოვსკის (რუსეთი), ჰ. ჰოუგართის (ინგლისი), რ. კენტის (აშშ) ნამუშევრები. XX ს-ში დიდი ადგილი დაიჭირა ლიტ. ნაწარმოებების თავისუფალმა ინტერპრეტაციამ (მ. დენი, ა. მაიოლი, რ. დიუფი, ა. მატისი, პ. პიკასო საფრანგეთში; ფ. მაზერელი ბელგიაში; ჰ. ერნი შვეიცარიაში; რ. გუტუზო იტალიაში; ა. კუბინა ავსტრიაში).

საბჭ. წიგნის ი. დიდ როლს თამაშობს ხალხის იდეურ-ესთეტ. აღზრდაში. 1920-იან წწ. რუსული საბჭ. ი-თვის ქსილოგრაფიის აყვავების პერიოდია (ვ. ფავორსკი, ა. კრავჩენკო), ჩნდება ფოტომონტაჟი. ამავე პერიოდში ვითარდება საბავშვო წიგნის ი. 1930—50-იან წლებში იქმნება რეალისტური ნამუშევრები (დ. შმარინოვი, ს. გერასიმოვი, კუკრინიქსები, ე. კიბრიკი და სხვ.). ი. უახლოვდება დაზგურ გრაფიკას. 1950—60-იან წლებში საუკეთესო ი-ებს ქმნიან: ი. ვასნეცოვი, ო. ვერეისკი, ვ. გორიაევი და სხვ. რსფსრ-ში; ვ. კასიანი უკრაინაში; გ. ხანჯიანი სომხეთში. საინტერესო და მრავალფეროვანია სოც. ქვეყნების ი. (ა. ვიურცი უნგრეთში, ვ. კლემკე გდრ-ში, ე. ლიპინსკი პოლონეთში და სხვ.).

საქართველოში ი. ხელნაწერის გაფორმებასთან იყო დაკავშირებული. ადრინდ. ი. გამოირჩეოდა ფაქიზი კოლორიტით, ხაზგასმული დეკორატიულობით, შესრულების მაღალი დონით. ქართ. წიგნის გრაფიკის პიონერმა გ. ტატიშვილმა დამოუკიდებლად შეისწავლა ქსილოგრაფიის ტექნიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ილუსტრირებული ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ქართ. წიგნის ი-ის განვითარება დაკავშირებულია ჟურნალების „კვალის“, „ნობათის“, „ჯეჯილის“, „ნაკადულის“ გამოსვლასთან, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართვ. მხატვრები: მ. თოიძე, ა. მრევლიშვილი, ა. ბერიძე, ა. გოგიაშვილი, შ. ქიქოძე და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰ. ჭრინევსკის ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ილუსტრაციები. მ. ზიჩის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას, ირ. თოიძის ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. 1920-იან წლებში ქართ. წიგნის ი. საბოლოოდ ჩამოყალიბდა. დაინერგა ლითოგრაფია და ქსილოგრაფია (დ. ქუთათელაძე, ვ. ქუთათელაძე, ვ. კეშელავა). ი-ის დარგში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ: ი. გაბაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. ქობულაძე, ი. გაბაშვილი, ე. ბალდავაძე; თანამედროვე მხატვრებიდან — დ. გაბაშვილი, ლ. გუდიაშვილი, შ. ცხადაძე, ზ. ნიჟარაძე, ა. ბანძელაძე, ლ. ცუცქირიძე, თ. მირზაშვილი, თ. ჟუბანეიშვილი, ვ. ონიანი, გ. ოჩიაური, ე. ბერძენიშვილი, ზ. ლეჟავა, ბ. ბერძენიშვილი, ზ. კაპანაძე და სხვ.

ლიტ.: ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბ., 1973.

ი. ილფი და ე. პეტროვი.

ილფი და პეტროვი, ილფის ნამდვ. გვარი და სახელი — ფაინზილბერგი ილია არნოლდის ძე [3 (15). X. 1897, ოდესა, — 13. IV. 1937, მოსკოვი], პეტროვის — კატაევი ევგენი პეტრეს ძე [30. XI (13. XII). 1903, ოდესა,— 2. VII. 1942], რუსი საბჭ. სატირიკოსი მწერლები. მუშაობდნენ ერთად. 1923-იდან ცხოვრობდნენ მოსკოვში.

ი. და პ-ის შემოქმედებითი თანამშრომლობა დაიწყო 1926-იდან. ერთად შექმნილ მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რომანები „თორმეტი სკამი“ (1928) და „ოქროს კერპი“ (1931), რ-ებშიც გადმოცემულია ოსტაპ ბენდერის თავგადასავალი. ეს რომანები წარმოადგენს ფართო სატირულ ტილოს, რ-ზეც ოსტატურად და გონებამახვილურადაა ასახული ობივატელ-მეშჩანების, მომხვეჭლების, მლიქვნელების დამყაყებული სამყარო. საზ. ცხოვრების მახინჯი მოვლენების სატირულ ასახვას მიეძღვნა მოთხრობა „ნათელი პიროვნება“ (1928). აშშ-ში მოგზაურობის შედეგად ი. და პ-მა დაწერეს წიგნი „ერთსართულიანი ამერიკა“ (1936).

ი-ის სიკვდილის შემდეგ პ-მა შექმნა სცენარები კინოფილმებისათვის („მუსიკალური ისტორია“, „ანტონ ივანეს ძე ჯავრობს“ და სხვ.), „ფრონტული დღიური“ (1942), პიესა „მშვიდობის კუნძული“ (გამოქვეყნდა 1947). დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—5, М., 1961; ერთსართულიანი ამერიკა, თბ., 1975; თორმეტი სკამი. — ოქროს კერპი, თბ., 1964.

ილუსტრაცია. „ბიბლიის“ სატიტულო ფურცელი. ხ. ლიუცელბურგერის ქსილოგრაფია ჰ. ჰოლბაინ უმცროსის ნახატის მიხედვით. 1528-32.

ილფოვი (Ilfov), ჟუდეცი სამხრ. რუმინეთში, დუნაის აუზში. ფართ. 8,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 811,3 ათ. კაცი (1975), ქ. ბუქარესტის გარეშე, რ-იც ი-ის ჟუდეცის ადმ. ცენტრია და გამოყოფილია ცალკე ადმ. ერთეულად. მდებარეობს ქვემო დუნაის ვაკეზე. ი. ინტენს. სოფ. მეურნ. რ-ნია, რ-იც დედაქალაქს სურსათით ამარაგებს. მეურნ. საგარეუბნო ტიპისაა (მებოსტნეობა, მებალეობა, სარძევე მეცხოველეობა). მოჰყავთ მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ბრინჯი), შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა.

ილხანი (თურქ.—ხალხის მბრძანებელი), *ჰულაგუიანთა* დინასტიის (1256—1335) მონღოლი ხანების ტიტული ირანში.

იმაბარი, იმაჰარუ, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. სიკოკუზე, ბინგოს ყურის ნაპირზე, ეჰიმეს პრეფექტურაში. 116 ათ. მცხ. (1974). საფეიქრო მრეწვ. ერთ-ერთი ცენტრი (უმთავრესად ბამბის ნართის, ქსოვილებისა და ფლანელის წარმოება). დიდი წისქვილკომბინატი.

იმაგო (ლათ. imago — სახე, გამოსახულება), მწერების ინდივიდუალური განვითარების საბოლოო (დეფინიტიური) სტადია. ამ სტადიაზე მწერებს აქვთ კარგად განვითარებული ფრთები, სასქესო დანამატები მუცლის ბოლოზე და სხვ. იმ მწერების ი., რ-თაც სრული გარდაქმნა ახასიათებთ (პეპლები, ხოჭოები, სიფრიფანაფრთიანები და სხვ.), ვითარდება *ჭუპრიდან*, ხოლო რ-თაც არასრული გარდაქმნა ახასიათებთ (სწორფრთიანები, ყურბელები, თანაბარფრთიანები, ნახევრადხეშეშფრთიანები) — *ნიმფიდან*. ი-ის სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვაა (იხ. აგრეთვე სტ. *მეტამორფოზი*).

იმაი ტადასი (დ. 8. I. 1912, ტოკიო), იაპონელი კინორეჟისორი. სწავლობდა ტოკიოს უნ-ტში. 1939-იდან მოღვაწეობს კინოში. ფილმები: „ხალხის მტრები“ (1946), „და მაინც ვცოცხლობთ!“ (1951), „უხიდო მდინარე“ (1969—70, I—II სერია) და სხვ. ი. იაპ. კინოხელოვნების დემოკრ. ნაკადის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მის ფილმებში აისახა იაპ. მნიშვნელოვანი სოც. პრობლემები — უმუშევრობა, მსხვილი კონცერნების მაქინაციები, პოლიციის ულმობლობა და არაკანონიერი სამართალი. მშვიდობის პრემიის ლაურეატი (1951).

იმამატი, მუსლიმანური *თეოკრატიის* ერთ-ერთი ფორმა. ი-ის დოგმაა იდეა სასულიერო და საერო ძალაუფლების შემკვიდრეობითობისა მუსლიმანთა შორის, რასაც ფართოდ იყენებდნენ არაბი ხალიფები, ოსმ. სულთნები და სხვა მუსლიმანი მმართველები. კავკ. ისტორიაში ი-ის სახელით ცნობილია სამხ.-თეოკრ. სახელმწიფო, რ-იც შეიქმნა XIX ს. 20-იანი წლების ბოლოს შეფის რუსეთის წინააღმდეგ ჩრდ.-აღმ. კავკ. მთიელთა (მთის დაღესტანი, ჩაჩნეთი) დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში. საბოლოოდ ი. ჩამოყალიბდა 30-იანი წლების ბო-

ლოს და თავის აღმავლობას მიაღწია XIX ს. 40-იან წლებში, *შამილის* მმართველობის დროს. თავდაპირველად ი-მა მნიშვნელოვანი პოლიტ. როლი ითამაშა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთიელთა დასარაზმავად, მაგრამ დროთა განმავლობაში სულ უფრო გამოიკვეთა მისი რეაქციულობა, რაც გამოიხატა სოც.-რელიგ. შეუწყნარებლობისა და ფანატიზმის უკიდურეს ფორმებში. ი. საბოლოოდ დაიშალა, როცა შამილი დამარცხდა და ჩრდ.-აღმ. კავკასია მეფის რუსეთმა დაიპყრო (1859).

ლიტ.: История Дагестана, т. 2, М., 1968; Смирнов Н. А., Мюридизм на Кавказе, М., 1963. *ზ. ანჩაბაძე.*

იმამი (არაბ. — წინ მდგომი), მუსლიმანური თემის მეთაური, მუსლ. თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი, *ხალიფა*; რელიგ.-იურიდ. მიმართულებების (მაზჰაბები) ფუძემდებლები სუნიტებში; შიიტების უმაღლესი მეთაური; სას. პირი, რ-იც ხელმძღვანელობს ღვთისმსახურებას მეჩეთში. იგი მლოცველთა წინ დგას და მლოცველები იმეორებენ მის სიტყვებსა და ტანის მოძრაობას.

იმამყული-ხანი (XVI ს. უკანასკნელი მეოთხედი — 1633), ირანის ჯარის ყულარაღასი, გამოჩენილი სარდალი. ქართველი. ალავერდი-ხან უნდილაძის შვილი. მისი მეთაურობით ირანელებმა პორტუგალიელები განდევნეს კ. ჰორმუზიდან (1623). ი.-ხ-მა ირანში დიდი საირიგაციო და სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა (გაიყვანა გზები, არხები, ააგო ხიდები, კაშლები). იგი ძალზე გონიერი და მწიგნობარი კაცი იყო, აინტერესებდა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებიც. დანათესავებული იყო ქართვ. ფეოდალებთან ირანსა თუ საქართველოში (მისი ერთი ქალიშვილი ანდუყაფარ ამილახორის ცოლი იყო და საქართველოში ცხოვრობდა, მეორე დაუდ-ბეგ გურჯზე იყო გათხოვილი, ხოლო მესამე ალიყულიბეგს, როსტომ-ხან საკაძის ძმას ჰყავდა ცოლად). ი.-ხ-ის შესახებ საინტერესო ცნობებია სპარს., ქართ. და ევრ. წყაროებში, სადაც იგი დადებით პიროვნებადაა წარმოდგენილი. პიეტრო დელა ვალე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ი.-ხ. მფარველობდა ქეთევან დედოფალს, ლუარსაბ II-ს, თეიმურაზის შვილებს. ი.-ხ-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე სპარსულად მხატვრული ნაწარმოებებიც დაიწერა („ჯანგნამეი ყეშმ", „ფარუხნამე"). მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ი.-ხ-ის პიროვნებასა და მოღვაწეობას თეიმურაზ I-ის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა". ი.-ხ-ს დაბრალდა თავისი ძმის, დაუდ-ხან უნდილაძის, ავჯანყებაში მონაწილეობა და ოჯახთან ერთად შაჰ-სეფი I-ის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 2, თბ., 1972; კუცია კ., კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, იქვე, [ტ.] 1, თბ., 1963; ფალასფი ნ., ზენდეგანი-ე შაჰ-ე აბბას-ე ავვალ (შაჰ-აბას I-ის ცხოვრება), [წგნ.] 2, თეირანი, 1956. *დ. კაციტაძე.*

იმანდრა, ტბა კოლის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაწილში, რსფსრ მურმანსკის ოლქში. ფართ. 812 *კმ²*, სიღრმე 67 *მ*-მდე. მდებარეობს მყინვარულ-ტექტონიკურ ქვაბულში, 126,7 *მ* სიმაღლეზე. ტბაში ბევრი კუნძულია, ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილი აქვს. ტბა შედგება 3 ნაწილისაგან, რ-ებიც ერთმანეთთან შეერთებულია სრუტეებით. ი-ს ბევრი მდინარე ერთვის, გამოდის მდ. ნივა. ტბა საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. უმაღლესი დონე აქვს ივნ. ბოლოს, უდაბლესი — აპრილში. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა—მაისში. ტბის წყალი გამჭვირვალეა (11 *მ*-მდე). მდიდარია თევზით. იყენებენ ხეტყის დასაცურებლად და წყალმომარაგებისათვის. ი-ის ჩრდ.-დას. ნაპირზეა ქ. მონჩეგორსკი.

იმანენტური (ლათ. immanens, ნათ. ბრ. immanentis — შიგნით არსებული, რაღაცისათვის დამახასიათებელი), საგნების, მოვლენებისა და პროცესებისათვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების კანონზომიერების ამსახველი ცნება. ი-ის პრობლემას ფილოსოფიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ი. *კანტმა*, რ-ის მიხედვით, გონების კანონიერი გამოყენების სფერო შემოფარგლულია ცდაში მოცემული მოვლენების სამყაროთი; გონების ასეთ გამოყენებას კანტი უპირისპირებს არაკანონიერს, ტრანსცენდენტურს — შესაძლო ცდის ფარგლებს გარეთ არსებულს.

იმანენტური ფილოსოფია შემეცნების ობიექტად მიიჩნევს ცნობიერების საკუთრივ შინაარსს. მის საპირისპიროდ დაალექტ. მატერიალიზმი ასაბუთებს, რომ ცნობიერებაში მთავარია არა საკუთრივი, არამედ რეალურ-საგნობრივი შინაარსი. ი-ს უწოდებენ აგრეთვე ისეთ ფილოს. კრიტიკას, რ-იც ამა თუ იმ მოძღვრებას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად თანამიმდევრულად გადმოსცემს იგი საკუთარ შეხედულებებს. *გ. ასათიანი.*

იმანენტური ფილოსოფია, სუბიექტურ-იდეალისტური მიმდინარეობა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, რ-იც უარყოფს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი სინამდვილის არსებობას და მიაჩნია იგი ცნობიერების იმანენტურ შინაარსად. ი. ფ. წარმოიშვა XIX ს. ბოლოს. მისი წარმომადგენლები (ვ. შუპე, ი. რემკე, ა. ლეკლერი, რ. შუბერტ-ზოლდერნი და სხვ.) აკრიტიკებდნენ ი. *კანტს* მარჯვნიდან და მოითხოვდნენ დაბრუნებას ჯ. *ბერკლისკენ*. ი. ფ. ცნობიერების საგანს აიგივებს მის შინაარსთან. ერთადერთი რეალობა არის ცოდნა, ნივთთა არსებობა დაყვანილია მათი შემეცნების (გაცნობიერების) ფაქტზე. ეს ივალსაზრისი მიდის სოლიფსიზმამდე— აბსურდულ მტკიცებამდე, რომ ერთადერთ რეალობას მხოლოდ მოაზროვნე სუბიექტი წარმოადგენს. სოლიფსიზმისგან თავის დასაღწევად იმანენტებმა შემოიტანეს ადამიანის ტვინისაგან დამოუკიდებლად არსებული „საყოველთაო ცნობიერების" ცნება. ეს ნიშნავდა მათ გადასვლას *ობიექტური იდეალიზმის* პოზიციაზე. ი. ფ. უპირისპირდება ბუნებისმეტყველებას, ააშკარავებს თავისი თვალსაზრისის რელიგ. ხასიათს; იგი აშკარად იცავს იდეალიზმსა და რელიგიას. ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, „რომ იმანენტები პირწავარდნილი რეაქციონერები არიან, ფიდეიზმის პირდაპირ მქადაგებლები, ერთნაირ მთლიანობას იჩენენ ბნელეთის მოციქულობაში. მათში ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომელიც თავის ყველაზე თეორიულ გნოსეოლოგიურ შრომას აშკარად არ მიმართავდეს რელიგიის დაცვისაკენ, ამა თუ იმ სახის შუასაუკუნეობრივობის გამართლებისკენ" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14, გვ. 265). *გ. რუსია.*

იმანუელ რომაელი, იმანუელ ბენ შელომო (დაახლ. 1270, რომი,— დაახლ. 1330, ფერმო), ებრაელი პოეტი. შუა საუკ. ებრ. კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. განსწავლული იყო ფილოსოფიაში, მედიცინაში, მათემატიკასა და ასტრონომიაში. წერდა ებრ., არაბ. და იტალ. ენებზე. მის შემოქმედებაში შერწყმულია აღმოსავლური, ებრ.-არაბ. და დასავლური აღორძინების ხანის ტრადიციები. ი. რ-ის კრებულში „მახბაროთ" შესულია გარითმული პროზით დაწერილი ლექსები, რ-ებიც სინატიფითა და სიმსუბუქით გამოირჩევა. იგი პირველი ებრ. სონეტის ავტორია. სონეტებში უდიდესი მხატვრული ძალით უმღერის მიწიერ სიყვარულს. ი. რ-ის პოეზიაში მძლავრია იუმორისა და სატირის ელემენტებიც, რ-ებსაც იგი იყენებს თანამედროვე საზ-ბის ნაკლოვანებათა მხილებისას. აღსანიშნავია პოემა „ჯოჯოხეთი და სამოთხე", რ-იც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ერთგვარი ანალოგიაა. ავტორია „ძველი აღთქმის" ვრცელი კომენტარებისა. ი. რ-ის თხზულებები საუკუნეების მანძილზე ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე. თარგმნილია ქართულადაც. ი. რ-ის შემოქმედებამ ხელი შეუწყო ებრ. ლიტ-რის მოქცევას ლიტ. ურთიერთობათა ახალ — ევრ. წრეში.

თხზ.: [წიგნში] შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, თბ., 1979.

ნ. ბაბალიკაშვილი.

იმაჟიზმი (ინგლ. imagism<image — სახე, ხატი), ავანგარდისტული მიმდინარეობა ინგლისურ და ამერიკულ ლიტ-რაში. 1909 ა. ბერგსონის მოწაფემ, ინგლ. პოეტმა და კრიტიკოსმა ტ. ჰიუმმა დააარსა კლუბი „იმაჟიზმის სკოლა". თვით ლიტ. პროცესი გამოიკვეთა 1912. 1914 გამოსცა ანთოლოგია „იმაჟისტები", რ-შიც თავიანთ თხზულებებს აქვეყნებდნენ ე. *პაუნდი*, რ. *ოლდინგტონი*, დ. *ლორენსი*, ე. *ლოუელი*, ფ. მ. ფორდი, ჯ. *ჯოისი* და სხვ. ი. გამოხატავდა ინდივიდუალისტურ, სუბიექტივისტურ ამბოხს საუკუნის დასაწყისის ბურჟ. ესთეტ. წარმოდგენების წინააღმდეგ, რაც ძირითადად პოეტური ხატის გასაგნობრივებასა და ესთეტ. ფორმალისტურ გაფეტიშებაში გამოვლინდა. წმინდა სახით ი. დაახლ. 1920-მდე არსებობდა. მის წიაღში აღმოცენდა ინგლ. ავანგარდისტული ხელოვნ. უფრო ხანმოკლე ნაკადი ვორტიცისიზმი. მისი გავლენითვე შეიქმნა რუსეთში *იმაჟინიზმის* სკოლა.

ა. იმედაშვილი.

იმაჟინიზმი (*იმაჟიზმიდან*), ლიტერატურული დაჯგუფება. შეიქმნა რუსეთში 1920-იან წლებში. არსებობა შეწყვიტა 1927. ი. ქადაგებდა „ხელოვნებას ხელოვნებისათვის", ფორმალიზმს. მისთვის დამახასიათებელია სუბიექტივიზმი, აპოლიტიკურობა, კონკრ. სინამდვილიდან მოწყვეტა, ბოჰემური, სასოწარკვეთის განწყობილებანი. ჯგუფში (ნ. კლუევი, ვ. შერშენევიჩი, ა. მარიენგოფი, რ. ივნევი, ა. კუსიკოვი ი. გრუზინოვი და სხვ.), ერთხანს შედიოდა ს. *ესენინიც*.

იმატრა (Imatra), ქალაქი სამხრ.-აღმ. ფინეთში, მდ. ვუოქსის ნაპირზე, კიუმის ლიანში. 36 ათ. მცხ. (1976). ქვეყნის მნიშვნელოვანი ჰესი (155 *ათ. კვტ*). მეტალ. და ხე-ტყის გადასამუშ. მრეწველობა. ი. კურორტი და ტურისტული ცენტრია.

იმბეცილობა (<ლათ. imbecillus—სუსტი, უძლური), ფსიქიკური განვითარების შეფერხება, *ოლიგოფრენიის* ფორმა.

იმედაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე [18. II (2. III). 1882, თბილისი, — 30. IX. 1942, იქვე], ქართველი საბჭ. მსახიობი, ქართული თეატრის ერთ-ერთი გამოჩენილი ტრაგიკოსი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1932). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში 1900. სხვადასხვა წლებში მუშაობდა თბილ., ბათუმის, ქუთ. და სხვ. თეატრებში. 1921—24 მოღვაწეობდა რუსთაველის სახ. თეატრში, 1928—31 — კ. მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ ქუთ. თეატრში (ახლანდ. თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი), 1939—42 — ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში. იყო ლ. მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის მოწაფე, რევოლუციამდელი ქართ. თეატრის საუკეთესო ტრადიციების მიმდევარი და დამამკვიდრებელი ქართ. საბჭ. სცენაზე. გამოდიოდა ყველა ჟანრის (ტრაგედია, კომედია, ვოდევილი, მუს. კომედია და სხვ.) სპექტაკლებში. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა კლასიკურ ტრაგედიებში. ი. ითვლებოდა ოტელოს (შექსპირის „ოტელო") როლის საუკეთესო შემსრულებლად რევოლუციამდელ ქართ. თეატრში. წარმატებით ითამაშა აგრეთვე ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), მეფე ლირი (შექსპირის „მეფე ლირი"), დონ კარლოსი (შილერის „ყაჩაღები"),

დათო (სუმბათაშვილის „ლალატი"), ესტეტანი (კ. მარჯანიშვილის მიერ 1922 დადგმული ლოპე და ვეგას „ცხვრის წყარო") და სხვ. O. გამოირჩეოდა უდიდესი ტემპერამენტით, პროფ. კულტურით, დახვეწილი აქტიორული ტექნიკითა და სასცენო მეტყველებით. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. სცენაზე სწორი ქართ. მეტყველების დამკვიდრებაში. 1921-იდან მოღვაწეობდა კინოში. შეასრულა გელას („მოძღვარი", 1922), ექიმის („ამოკი", 1927), კარდინალ მონტანელის („კრაზანა", 1928), ასტამირის („ელისო", 1928) და სხვ. როლები. O. იყო რეჟისორი, ანტრეპრენიორი, მთარგმნელი, სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის, ჭიათურის, ქუთაისისა და სხვ. თეატრებს, მსახიობთა დასებს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

თხზ.: მოგონებანი, თბ., 1963.

ლიტ.: ბურთიკაშვილი ა., ალექსანდრე იმედაშვილი, თბ., 1956; ცაგარეიშვილი ლ., ალექსანდრე იმედაშვილი, თბ., 1972. *ლ. ცაგარეიშვილი.*

იმედაშვილი გაიოზ იოსების ძე (დ. 11. II. 1906, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს რ-ნი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). დაამთავრა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1929). 1935-იდან მუშაობს შ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტში. O-ის კვლევის საგანი ძვ. ქართ. საერო და სასულიერო მწერლობის, უპირატესად ვეფხისტყაოსნის პოეტიკისა და სტილის საკითხებია. მის წიგნში „რუსთველოლოგია" (1941) ისტ.-კრიტ. მიმოხილვასთან ერთად შეჯამებულია კვლევის ძირითადი ისტ. ეტაპები და უმთავრესი პრობლემატიკა. O-ის ფუნდამენტური ნაშრომი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა" (1957) შეიცავს 1712—1956 წლების ბიბლიოგრაფიულ ანოტაციებს. მისი მუშაობის შედეგები განზოგადებულია გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა" (1968). აღსანიშნავია O-ის მონოგრაფიები: „ქართული საგალობლის პოეტიკის საკითხები" (1960), „რაინდული რომანი ქართულ მწერლობაში" (1965) და გამოკვლევები ძვ. ქართ. ეპიკურ ძეგლებზე („ამირანდარეჯანიანი", „სეილანიანი", „სირინოზიანი").

თხზ.: ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის, თბ., 1939; ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ პიმნოგრაფიაში; «ლიტერატურული ძიებანი», 1944, [ტ.] 2; ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა, თბ., 1942; ძველი ქართული ენისა და სტილის მიჯნებზე, თბ., 1966; „Четыре солнца" в „Слове о полку Игореве", М.—Л., 1950.

ლიტ.: ცაიშვილი ს., ლიტერატურული წერილები, თბ., 1977. *ს. ცაიშვილი.*

იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე (20. IV. 1876, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს რ-ნი, — 5. V. 1952, თბილისი), ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. სწავლობდა თბილ. სახელოსნო სასწავლებელში. 1890-იანი წლებიდან ეწეოდა რევ. აგიტაციას თბილ. ქ-ნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას. 1903-იდან რსდმპ-ის წევრი იყო. 1906 აირჩიეს I სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლად. 1905—06 ხელმძღვანელობდა ივრის ხეობის, ე. წ. „გარეკახეთის ერთობის", რევ. მოძრაობას. 1905 თბილისში გლეხთა რაზმთან ერთად პროტესტით წარუდგა მეფის ნაცვალს გურიაში დამსჯელი რაზმების გაგზავნის გამო. 1910 რევ.-პროპაგანდისტული მუშაობისათვის 4 წლის კატორღა მიუსაჯეს, რაც ავადმყოფობის გამო მეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს.

O. ნაყოფიერად იღვწოდა ლიტ.-კულტ. სარბიელზე. ბეჭდვა დაიწყო 1895-იდან. 1893 ავჭალის, ხოლო 1902 ავლაბრის მუშათა თეატრების დამაარსებელთაგანი და პირველი რეჟისორი იყო. შეადგინა და გამოსცა ორიგინ. და თარგმნილი პიესების ორი კრებ. — „ცხოვრების სარკე" (1899, 1901). 1902 გამოსცა მ. გორკის მოთხრობათა პირველი ქართ. თარგმანების კრებული. 1903-იდან გამოაქვეყნა ურბანისტული შინაარსის მოთხრობები, სატირ. რომანი „აახ-ვა

რეთში სამეფო გააუქმეს და რუს. მმართველობა შემოიღეს.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

იმერეთის აჯანყება 1819—20, ანტიკოლონიური სახალხო აჯანყება ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ. იმერეთის რუსეთთან შეერთების (1810) შემდეგ შეწყდა თურქთა თავდასხმები და შეიქმნა მშვიდობიანი განვითარების პირობები, მაგრამ სამაგიეროდ გაჩნდა ბიუროკრ. აპარატი, გაიზარდა სახელმწ. გადასახადები და შრომითი ბეგარა, გაუარესდა სამართალწარმოება, ფესვი გაიდგა მექრთამეობამ. რუს. მთავრობამ მიზნად დაისახა გაეზარდა სახაზინო შემოსავალი, ამისათვის საჭიროდ მიიჩნიეს საეკლ. რეფორმების გატარება, რითაც გლეხთა საეკლ. გადასახადები კიდევ უფრო იზრდებოდა. ამ ღონისძიებას უკმაყოფილოდ შეხვდა მოსახლეობის ყველა ფენა. 1819 ივლისში დაიწყო რეფორმების გატარება, რ-საც სათავეში ჩაუდგა მიტროპოლიტი *თეოფილაქტე*. თავადაზნაურობამ მშვიდობიანი გზით სცადა რეფორმის შეჩერება, მაგრამ უშედეგოდ. შორაპნის ოკრუგის მოსახლ. აჯანყდა და რეფორმის გაუქმება მოითხოვა. ასევე აჯანყდა რაჭის მოსახლეობა. რეფორმის განსატარებლად გაგზავნილი მოხელეები ხალხმა გურია-სამეგრელოში არ შეუშვა. მთავრობამ სასწრაფოდ გაგზავნა იმერეთში ჯარის ნაწილები. 9 ივლ. თეოფილაქტე იძულებული გახდა თბილისს გამგზავრებულიყო. ამან მღელვარება შეანელა, მაგრამ როცა რუს. ხელისუფლებამ აჯანყების საქმის ძიება დაიწყო, მოსახლეობამ კვლავ იარაღს მოჰკიდა ხელი. იმერეთი აჯანყებამ მოიცვა; აჯანყებულთა ხელში იყო მთელი რაჭა. მოსახლეობა თავს ესხმოდა რუსთა რაზმებს, შეწყდა გადასახადების გადახდა. აჯანყებამ აამოძრავა ოსმალეთში მყოფი იმერელი ემიგრანტები; ფეოდალთა ნაწილმა განიზრახა ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით და იმერეთში ადგილ. სამეფო ხელისუფლება აღედგინა. მათ მოიწვიეს ირანში მყოფი *ალექსანდრე ბატონიშვილი* (ერეკლე II-ის ძე), მაგრამ მასთან მოლაპარაკება გაჭიანურდა. საბოლოოდ არჩევანი სოლომონ I-ის შვილიშვილ ივანე აბაშიძეზე შეჩერდა. რუს. მთავრობამ მისი დაპატიმრება გადაწყვიტა. აბაშიძე გურიაში გადავიდა და თავის ნათესავს, გურიის მთავრის ბიძას, ქაიხოსრო ბატონიშვილს შეაფარა თავი. ქაიხოსროს მხარეზე დადგნენ დავით გიორგის ძე გურიელი, დავით ზაალის ძე ერისთავი. რუს. მთავრობამ 1820 წ. 4 მარტს დააპატიმრა ექვთიმე გენათელი, დოსითეოს ქუთათელი, დარეჯან ბატონიშვილი (სოლომონ I-ის ასული) და რამდენიმე გავლენიანი თავადი და აზნაური და მათი რუსეთში გაგზავნა გადაწყვიტა. ამას აჯანყების ახ. აღმაცლობა მოჰყვა. აჯანყებას თანაუგრძნობდა გურია-სამეგრელოს მოსახლეობაც, მაგრამ რუს. სარდლობის მუქარამ დადიანი და გურიელი აიძულა მთავრობის მხარე დაეჭირათ. იმერეთის მმართველმა პოლკ. პუზირევსკიმ ქაიხოსრო ბატონიშვილს ივანე აბაშიძის გაცემა მოსთხოვა. ქაიხოსრომ უარი განაცხადა. 1820 აპრ. გურიაში რაზმით შესული პუზირევსკი შემოქმედის ციხესთან მოკლეს. რუსთა რაზმმა უკან დაიხია. ქაიხოსრომ თურქეთს შეაფარა თავი. იმავე დროს აჯანყდა სამეგრელოს მოსახლეობაც მთავრის ძმის — გიორგი დადიანის მეთაურობით. რუს. სარდლობამ სამეგრელოში ჯარი შეიყვანა და აჯანყებულები დაამარცხა. გიორგი დადიანი აფხაზეთს შეეფარა. იმერეთში რუსთა დამატებითი ძალები შეიყვანეს გენ. ველიამინოვის სარდლობით. იმერეთის დამორჩილების შემდეგ, 21 მაისს, რუსთა ჯარმა კვარას ციხესთან დაამარცხა აჯანყებული რაჭველები და რაჭა მოარბია. დააპატიმრეს 70 კაცი, მათგან 10 ჩამოახრჩვეს, ნაწილი კი რუსეთს გადაასახლეს. ველიამინოვი დიდი რაზმით და არტილერიით გურიაში შევიდა. 24 ივლ. რუსთა ჯარმა აიღო და მიწასთან გაასწორა შემოქმედის ციხე, მოარბია ახლომახლო სოფლები, შემდეგ აიღო გრიგოლეთი, ნიგოზდიდი, გურიის საერისთავოს სიმაგრეები. აჯანყების მეთაურები ემიგრაციაში წავიდნენ. ბევრი აჯანყებული რუსეთს გადაასახლეს, მათი ქონება ხაზინას გადაეცა. ი. აბაშიძე, ქ. გურიელი, ვ. ბაგრატიონი და დ. ერისთავი ემიგრაციაში გარდაიცვალნენ. მომდევნო წლებში მათი ნათესავები და მომხრეები რუს. მთავრობას შეურიგდნენ, სამშობლოში დაბრუნდნენ და ყმა-მამული დაიბრუნეს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Махарадзе Н. Б., Восстание в Имеретии 1819—1820 гг., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 3.

ქ. ჩხატარაიშვილი.

იმერეთის დაბლობი, კოლხეთის დაბლობის აღმ. ნაწილი, მდ. ცხენისწყლის შესართავიდან ქ. ზესტაფონამდე. სიგრძე 65 *კმ*, მაქს. სიგანე 35 *კმ*. ზ. დ. 15—150 *მ*. ოდნავ დახრილი აკუმულაციური ვაკეა. აგებულია მეოთხეული ალუვიური ნაფენებით. O. დ-ზე ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,5—14,6°C-ია, აბსოლ. მინ. —17—20°C, აბსოლ მაქს. 38—42°C. ნალექები 1300—1800 *მმ* წელიწადში. დაბლობის ძირითად ნაწილში ნოტიო სუბტროპ. ვაკე-დაბლობის ლანდშაფტია კოლხური მცენარეულობით და ალუვიური და ეწერი ნიადაგებით. მცირე ფართობი უჭირავს მუხნარიან და ეწერ ნიადაგებიან ვაკე-დაბლობს, აგრეთვე ჭალებს, სადაც კოლხური მდელო-ტყის მცენარეულობა და ალუვიური ნიადაგებია. *ლ. მარუაშვილი.*

იმერეთის მაღლობი, ზემო იმერეთის მაღლობი (პლატო), საქართველოს მთათაშორისი ბარის ამაღლებული ნაწილი ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ხაშურის, ზნაურის რ-ნებსა და ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე. გეოლოგიურად ემთხვევა ძირულის კრისტალურ მასივს — კავკასიონისა და მცირე კავკასიონის ნაოჭა ზონებს შორის მოქცეულ შუალედურ მასივს, რ-იც აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, კრისტ. ფიქლებით და ნაწილობრივ დაფარულია სუსტად დანაოჭებული მეზო-კაინოზოური დანალექი ქანებით. გეომორფოლოგიურად იყოფა ორ ძირითად ნაწილად: გაშიშვლებული კრისტალური სუბსტრატის არეში (სამხრ.-აღმ. ნაწილი) გაბატონებულია საშუალმთიანი ეროზიული რელიეფი (აბსოლ. სიმაღლე 1500 *მ*) ძვ. პენეპლენიზებული ზედაპირის ნაშთებით (ლიხის ქედის თხემზე, გედსამანიის ქედზე და სოფ. გეზრულის მიდამოებში) და მეზოკაინოზოური დანალექი წყებებით აგებულ არეში (ჩრდ. ნაწილი) განვითარებულია სუსტად დანაწევრებული პლატო კანიონისებრი ხეობებითა და კარსტით ზედაცარცულ კირქვებში (აქაა მღვიმეები — დევისხვრელი, ამაშუკეთი, ნიგოზეთი, გვარჯილასკლდე, მღვიმევი და სხვ., კარსტული ძაბრები, უწყლო ხეობები). პლატოზე ამართულია გორაძირის ორი ვულკანური კონუსი. ჰავა — ზღვიური ნოტიო სუბტროპიკულია, იცის შედარებით ცივი და უხვნალექიანი ზამთარი. მთავარი მდ-ებია ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა. გაშიშვლებული კრისტ. სუბსტრატის არეში გავრცელებულია კოლხური ტიპის ფოთლოვანი ტყეები; დანალექი ქანებით აგებულ ნაწილში ტყე გაჩეხილია, შემორჩენილია მხოლოდ ხეობათა ციცაბო ფერდობებზე. O. მ-ზეა ქალაქები: ჭიათურა, საჩხერე, დაბა ორჯონიკიძე.

ლ. მარუაშვილი.

იმერეთის სამეფო, ქართული ფეოდალური სახელმწიფო XV—XIX სს-ში. წარმოიქმნა საქართვ. ფეოდ. მონარქიის პოლიტ. დაშლის შედეგად. ეს პროცესი საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებიდან (XIII ს. 30-იანი წწ.) დაიწყო და XV ს. II ნახ-ში დასრულდა. ჯერ კიდევ დავით ნარინი XIII ს. II ნახევარში არსებითად იმერეთის მეფე იყო. O. ს-ში შემავალი ოდიშისა და გურიის სამთავროები XVI ს. შუა წლებში ცალკე პოლიტ. ერთეულებად ჩამოყალიბდა. XVII ს. დამდეგს O. ს-ს აფხ. სამთავრო ჩამოსცილდა, უფრო გვიან კი — სვანეთისა. ამის შემდეგ O. ს-ს ტერიტ. საკუთრივ იმერეთითა და რაჭით შემოიფარგლა. ლეჩხუმი ხან იმერეთის მეფეს ეპყრა და ხან ოდიშის მთავრებს. O. ს-ს აღმ-ით ქართლის სამეფოსაგან ლიხის ქედი ყოფდა, დას-ით ოდიშის სამთავროსაგან — მდ. ცხენისწყალი, ჩრდ-ით— კავკასიონის ქედი და სამხრ-ით გურიის სამთავროსა და ახალციხის საფაშოსაგან — ფერსათის ანუ მესხეთის მთები. O. ს-ს დას. და სამხრ. საზღვრები ხშირად იცვლებოდა: დას-ით იმერეთის მეფეს საჭილაო-სამიქელაოს ოდიშის მთავარი ეცილებოდა, სამხრ-ით საჯავახოს გურიელი ითვისებდა. O. ს-ს სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო. აქვე იყო მეფის მთავარი რეზიდენცია. XVII ს-ში O. ს-ს 40 ათ. მეომრის გამოყვანა შეეძლო. XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ამ სამეფოში დაახლ. 120 ათასამდე მცხოვრები იყო. O. ს-ში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ფეოდ.-ბატონყმური ურთიერთობა იყო. არსებობდა მრავალი სათავადო (მხეიძეთა, ჩხეიძეთა, მიქელაძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა, წერეთელთა, წულუკიძეთა და სხვ.), რ-თაც საგადასახადო, ადმ. და ნაწილობრივ სასამართლო იმუნიტეტი ჰქონდათ მოპოვებული და ტერიტორიულად და პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდ. ერთეულებს წარმოადგენდნენ (იხ. *სათავადო*) XVIII ს. შუა წლებში O. ს-ში 100-მდე თავადი იყო. ისინი მეფის ან უფლისწულის ვასალები იყვნენ. მაგრამ თავადები, განსაკუთრებით დიდებული თავადები, „ხელმწიფობისაკენ“ (სუვერენობისაკენ) მიისწრაფოდნენ და ამ ნიადაგზე იმერეთის მეფესა და მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლა იყო. O. ს-ს სათავეში მეფე იდგა. ის იყო ქვეყნის უზენაესი მმართველი. წარმოშობით ბაგრატიონთა დინასტიის დასავლურ შტოს (დავით ნარინის შტოს) ეკუთვნოდა (იხ. *ბაგრატიონები*). მეფე ფორმალურად შეუზღუდველი იყო, მაგრამ ფაქტობრივად მისი ძალა-უფლება დიდად იყო დამოკიდებული მსხვილი თავადების ნება-სურვილზე. O. ს-ს კარზე არსებობდა „დარბაზი“ ანუ სახელმწ. საბჭო, რ-შიც მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი მსხვილი საერო და სას. ფეოდალები შედიოდნენ. O. ს-ს მართვა-გამგეობის სტრუქტურა ქართლისა და კახეთის სამეფოთა მიმსგავსებით იყო აგებული. 1651—61 O. ს. ოთხ სამხ.-ტერიტ. ერთეულად — სადროშოდ ანუ სასარდლოდ დაიყო: რაჭის, არგვეთის (ზემო იმერეთი), ვაკისა და ოკრიბა-ლეჩხუმის. O. ს-ში სარდლის სახელო, ისე როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს: „ზემო ქვეყნის“ ანუ „ზემო მხარისა“ (ზემო იმერეთი) — წერეთლებს, ვაკისა (ქვემო იმერეთი) — წულუკიძეებს, ოკრიბა-ლეჩხუმისა — აგიაშვილებს და რაჭისა — რაჭის ერისთავებს. 1769, რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, რაჭის სასარდლო ზემო იმერეთის სასარდლოს შეუერთდა. O. ს-ში ყველაზე მსხვილი ფეოდალი მეფე იყო, რ-ის დომენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში იყო მოქცეული. სოლომონ II-ის



იმერული ბალიშა ცრუფარიანას სხვადასხვა ზომისა და ფორმის დედალი: ა — კვერცხდებამდე; ბ — კვერცხმდები.

დროს (1789—1810) მეფის დომენი 26 სამოურავოსაგან შედგებოდა. თითოეულ სამოურავოს საკუთრივ მეფის მოურავი განაგებდა. მაღალი თანამდებობის საერო მოხელეთა შორის Ი. ს-ში უპირველესი ადგილი სახლთუხუცესს ეკავა. Ი. ს-ს უმაღლესი საეკლ. ხელისუფალი დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო, რ-იც ხშირად „ჩრდილოსა და აფხაზეთის“ ან „აფხაზ-იმერთა“ ან კიდევ „პონტო ჩრდილოით აფხაზეთ-იმერთა და ყოველისა ქვემოისა ივერიისა კათალიკოსად“ იწოდებოდა. მისი რეზიდენცია XVI ს. II ნახ-ში ბიჭვინთაში იყო, ხოლო შემდეგ — გელათში. აქ კათალიკოსს ეჭირა წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც საკათალიკოსო ეკლესიად იყო ცნობილი. კათალიკოსის ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ როგორც Ი. ს-ს, ისე დას. საქართველოს სამთავროების საეკლ. მსახურნი. მიუხედავად ქვეყნის პოლიტ. დაქსაქსულობისა, საეკლ. სფეროში ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ცენტრალიზებული იყო. Ი. ს-ში 4 საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ქუთაისის, გელათის, ხონის და ნიკორწმინდის. აქვე იყო გელათის, ჯვრუჭის, მღვიმევის მონასტრები და მრავალი სხვა ეკლესია-მონასტერი. 1555 ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით Ი. ს-ს გურია-ოდიშის სამთავროები და სამცხე-საათაბაგოს დას. ნაწილი ოსმალეთს ერგო. ამის შემდეგ XVI—XVIII სს. განმავლობაში Ი. ს. ოსმალეთის აგრესიის მუდმივი ობიექტი იყო. XVII ს. I ნახევრიდან Ი. ს. ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა. ამავე საუკუნის 60-იან წლებში კი ქუთაისში ოსმ. გარნიზონი იდგა. იმერეთის მეფეს ავიწროებდნენ ოდიშისა და გურიის მთავრები, ეურჩებოდნენ საკუთარი მსხვილი თავადებიც. განსაკუთრებით გამწვავდა დამოკიდებულება იმერეთის მეფესა და *ლევან II დადიანს* შორის. დადიანი განუწყვეტლივ თავს ესხმოდა Ი. ს-ს. XVII ს. 30-იან წლებში კი იმერეთის მეფე გიორგი III ტყვედ ჩაიგდო და მისი განთავისუფლების საფასურად მეფის მემკვიდრისაგან მიიღო მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე მდებარე ტერიტ. საჭილაო-სამიქელაო, ჩხარისა და ჩიხორის ვაჭრები, მრავალი ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი და იარაღი, აგრეთვე თვალ-მარგალიტი. მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე გაბატონებული დადიანი ახლა უფრო თავისუფლად თარეშობდა მთელ ქვემო იმერეთში და ფაქტობრივად ეს ტერიტ. ქუთაისამდე მიტაცებული ჰქონდა. დადიანის მძლავრობამ იმერეთის მეფე *ალექსანდრე III* (1639—60) აიძულა დახმარების სათხოვნელად რუს. ხელმწიფისათვის მიემართა. 1649 წან თავისი ელჩი გაგზავნა რუსეთში და რუს. ხელმწიფეს ალექსი მიხეილის ძეს მფარველობაში მიღება და ოდიშის მთავრის წინააღმდეგ დონელი კაზაკების გამოგზავნა სთხოვა. 1650 რუს. მთავრობამ საპასუხო ელჩობა გამოგზავნა იმერეთში ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მეთაურობით (იხ. *ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობა* იმერეთში). ალექსანდრე III-მ და მისმა დიდებულებმა რუს. ხელმწიფისადმი ვასალური ერთგულების ფიცი მიიღეს, მაგრამ ამ ელჩობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის სამთავროს საქმეები აირია. იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ ისარგებლა ამ გარემოებით და ოდიშში დალაშქრა, დაიპყრო უნაგირას მთის აქეთ „აღმოსავლეთის კერძი“ და იმერეთისა და ოდიშის საზღვრად მდ. ცხენისწყლის ნაცვლად უნაგირას მთა დააწესა. ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ (1660) Ი. ს. ფეოდ. ანარქიამ მოიცვა. მეფის ხელისუფლება დასუსტდა. *ბაგრატ IV* სამჯერ ჩამოაგდეს ტახტიდან, ასეთივე იყო იმერეთის სხვა მეფეთა ბედიც. Ი. ს-ში შექმნილი ვითარება ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ოსმ. აგრესიის გაძლიერებას. 1752, როცა *სოლომონ I* გამეფდა, Ი. ს-ს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები (ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვათის, ბაღდადის) თურქებს ეპყრათ. სამეფოს შიგნით განკერძოებისათვის მებრძოლი არგვეთის თავადი ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავები მძლავრობდნენ. მათ ზურგს უმაგრებდა ოსმალეთი. იგი დიდი ხალისით აძლევდა თავშესაფარს და დამხმარე ლაშქარს იმერეთის მეფის წინააღმდეგ მებრძოლ თავადებს. ხშირად განგებ უპირისპირებდა მეფეს სამეფო სახლის რომელიმე წევრს ან ამა თუ იმ ძლიერ თავადს და ამით ცენტრ. ხელისუფლებას უფრო მეტად ასუსტებდა. Ი. ს-ს საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა სოლომონ I-ის მეფობაში (1752—84). სოლომონ I ენერგიულად ებრძოდა ოსმ. აგრესიას, ხოლო ქვეყნის შიგნით — ფეოდ. რეაქციას. მეფემ დაიმორჩილა თავადი აბაშიძეები, გააუქმა რაჭის საერისთავო, აღკვეთა ტყვეებით ვაჭრობა, რაც ქვეყანას გადაშენებას უქადდა. სოლომონმა დაამარცხა თურქი ინტერვენტები და XVIII ს. 60-იან წლების მიწურულს გაათავისუფლა მათგან იმერეთის ციხესიმაგრეები (ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის). ამაში სოლომონს დიდად შეუწყო ხელი რუს.-ოსმ. 1768 — 74 ომმა და Ი. ს-ში რუსთა სამხ. კორპუსის შემოსვლამ გენ. ტოტლებენის მეთაურობით. ამ წარმატებებმა ხელი შეუწყო მეფის ხელისუფლების განმტკიცებას იმერეთში. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა, მაგრამ ოსმალთა აგრესიის საფრთხე მაინც არსებობდა. გურია-ოდიშის მთავრებიც არ ემორჩილებოდნენ მეფეს. სოლომონ I ოსმალთა ქვეშევრდომობისაგან იმერეთის საბოლოოდ განთავისუფლებას, მთავრების დამორჩილებას და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას ცდილობდა. მან 1774 (ისე როგორც ადრე, 1768) დახმარებისათვის რუსეთს მიმართა და მფარველობაში მიღება სთხოვა. მაგრამ ამ დროს რუსეთს არ სურდა ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დარღვევა და ოსმალეთთან ურთიერთობის გართულება. რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოთა შორის *გეორგიევსკის ტრაქტატის* დადების შემდეგ, იმავე 1783, სოლომონ I-მა სცადა მსგავსი ხელშეკრულება დაედო რუსეთთან, მაგრამ მის ცდას შედეგი არ მოჰყვა. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ცენტრ. ხელისუფლების ძლიერება ისევ შეირყა. დაიწყო იმერეთის ტახტის პრეტენდენტთა შორის ბრძოლა. ფეოდ. შინაომები კვლავ განახლდა. 1784 გამეფებული *დავით II* (გიორგის ძე) მალე ტახტიდან გადააგდო დავით არჩილის ძემ და 1789 თვითონ გამეფდა *სოლომონ II-ის* სახელით. დამარცხებული დავით გიორგის ძე ბრძოლას განაგრძობდა. მხოლოდ XVIII ს. მიწურულისათვის შეძლო სოლომონ II-მ სამეფოს საბოლოოდ შემომტკიცება. მაგრამ გამწვავდა მისი დამოკიდებულება ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანთან. თურქებიც განუწყვეტლივ არბევდნენ Ი. ს-ს საზღვრისპირა ადგილებს. რუს. მთავრობა სარგებლობდა დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის ჩამოვარდნილი შუღლით და მას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა, ამავე მიზნით ეხმარებოდა იგი დადიანსაც. 1801, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუს. სამხ. მოხელეებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება Ი. ს-ს გასაუქმებლად. ასეთ ვითარებაში ხელისუფლება რომ შეენარჩუნებინა, სოლომონ II-მ 1804 წ. 25 აპრ. რუს. ქვეშევრდომობა აღიარა. *ელაზნაურის შეთანხმებით*, რ-ის პირობები რუსეთის მიერ იყო ნაკარნახევი, იმერეთის მეფე ყველაფერში რუსეთს უნდა დამორჩილებოდა. სოლომონი კი საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და რუს. იმპერატორის ვასალობას თხოულობდა. ურთიერთობა იმერეთისა მეფესა და ცარიზმის ადგილ. მოხელეებს შორის თანდათან მწვავდებოდა. სოლომონი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად ბრძოლას განაგრძობდა (იხ. *იმერეთის ანექსია 1810*), მაგრამ 1810 რუს. თვითმპყრობელობამ გააუქმა Ი. ს. და იქ თავისი მმართველობა დაამყარა.

წყარო: გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1962; დ ა დ ი ა ნ ი ᲗᲐ., ქართველთა ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს.. ყაუხჩი-

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲝᲑᲐ — ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ИМЕРЕТИНИ, მდ. შავშეთისწყლის (ახლანდ. სახელწ. ბ ე რ თ ა, თურქეთი) მეორე სახელწოდება. ი. ერქვა აგრეთვე ტერიტ. რეგიონსაც, რ-იც ისტ. *შავშეთში* შედიოდა, ვარაუდობენ, რომ ფეოდ. ხანაში ადმ. ერთეული იყო. XVI ს-ში იგი საქართველოს სხვა მიწებთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა. ქართ. მოსახლეობით დასახლებული ეს მხარე ახლა თურქეთის ფარგლებშია.

ИМЕРЕТИ, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ნაშუფსის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. ნაშუფსის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 350 *მ*, გაგრიდან 25 *კმ*, განთიადიდან (უახლოესი რკინიგზის სად.) 10 *კმ*. ო. თუმანიანის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა), დაწყ. და რვაწლ. სკოლები, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი.

ИМЕРЕТИ (ყოფ. ხ ე ვ ა), სოფელი ქარელის რ-ნში (ზღუდერის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ღვანანის (ძამის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 960 *მ*, ქარელიდან 18 *კმ*. ზღუდერის კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა-ინტერნატი, ბ-კა.

სოფლის მახლობლად შემორჩენილია დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია (ვარაუდით, ადრინდ. ფეოდ. ხანისა), მეორე ეკლესიის ნანგრევები (სოფლის დას-ით) და კოშკის საძირკვლის ნაშთები.

ИМИГРАНТЕБИ (ბიოლ.), ორგანიზმები, რ-ებიც წარმოიშვნენ და განვითარდნენ სხვა ტერიტორიაზე, ხოლო მოცემულ ტერიტორიაზე გაცილებით გვიან დასახლდნენ. ი-ის დახასიათებისას აღინიშნება ადგილი, საიდანაც მოხდა მიგრაცია, და დასახლების დრო. მაგ., ევრაზიაში ცხენისებრთა ოჯახი ზედა მესამეული პერიოდის ამერ. იმიგრანტია. იმიგრაციის დროსა და მიმართულებას განსაზღვრავენ უშუალო დაკვირვების ან ისტ. მონაცემების მიხედვით. უმრავლეს შემთხვევაში ეს საკითხები წყდება გეოლ. და პალეონტოლ. მონაცემების, აგრეთვე ნათესაური კავშირების ანალიზისა და *არეალის* ხასიათის საფუძველზე.

ИМИГРАНТИ (ლათ. immigrans, ნათ. ბრ. immigrantis — ვინც ჩასახლდება), ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე, რ-იც სამუდამოდ დასახლდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. იხ. აგრეთვე *მოსახლეობის იმიგრაცია, მოქალაქეობა, უცხოელები.*

ИМИГРАЦИА (<ლათ. immigro — ჩავსახლდები) (ემბრიოლოგია), ჩ ა ს ა ხ ლ ე ბ ა, *გასტრულაციის* ერთ-ერთი ხერხი, რ-ის დროსაც ცალკეული უჯრედები მიგრირებენ ბლასტულის ღრუში და მის ზედაპირულ შრეს ამოეფინებიან.

ИМИЕРАЛАИС ქედი, ქედი პამირის ჩრდ. ნაწილში. უმთავრესად ყირგ. და ტაჯ. სსრ საზღვარზე. სამხრ-იდან ესაზღვრება ალა-



ის ვეულს. სიგრძე 240 *კმ*, მაქს. სიმაღლე 7134 *მ* (ლენინის პიკი). ჩრდ. კალთები აგებულია ფიქლებით, კირქვებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით. კალთების ქვედა ნაწილში მთა-სტეპისა და მთა-მდელოს მცენარეულობაა, ზემოთ მარადი თოვლი და მყინვარებია. გამყინვარების ფართ. 1436 *კმ*². ი. ძ-ზე (ყიზილართის ულელტეხილზე) გადის ოშ—ხოროგის საავტ. გზა.

ИМИЕРБАИКАЛЕТИ, მთიანი მხარე ბაიკალის ტბის აღმ-ით. გადაჭიმულია ჩრდ-იდან სამხრ-კენ, პატომისა და ჩრდ. ბაიკალის მთიანეთებიდან სსრკ-ის სახელმწ. საზღვრამდე, თითქმის 1000 *კმ*-ზე და ბაიკალის ტბიდან აღმ-კენ, მდ-ების შილკისა და არგუნის შესართავამდე, 1000 *კმ*-ზე მეტ მანძილზე. ი-ის ტერიტორიაზე მდებარეობს რსფსრ ბურ. ასსრ, ჩიტის ოლქი და ნაწილობრივ ირკუტსკის ოლქი.

ი-ის აგებულება გაპირობებულია ჰერცინული, კალედონური, ბაიკალური და ქვედაპროტეროზოური ნაოჭა სისტემებით. ი-შია კალის, ვოლფრამის, მოლიბდენის, ქრომის, ტიტანის, რკინის, თუთიის, ოქროს და სხვ. საბადოები.

ი-ის რელიეფისათვის დამახასიათებელია ქედებისა და მთათაშუა ქვაბულების მონაცვლეობა. ჩრდ.-დას. ნაწილშია ბაიკალისპირა და იმიერბაიკალეთის ქედები (სიმაღლე 2500—3000 *მ*) და ბაიკალის ტიპის ქვაბულები. ეს ნაწილი მეტად სეისმურია. აღმ-ით ქედების სიმაღლე 1800—800 *მ*-მდე კლებულობს. სამხრ-ით მდებარეობს ხენტეის ძლიერ დანაწევრებული მთიანეთი (2500 *მ*), სამხრ.-აღმ-ით — ტორეის ვაკე (500—800 *მ*).

ი-ს ჰავა მეტად კონტინენტურია. ქვაბულებში იანვ. საშ. ტემპ-რა —35°C-მდეა. ზაფხული ზომიერად თბილი იცის. ივლ. საშ. ტემპ-რა ქვაბულებში 10—20°C. ნალექები მატულობს სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-კენ და ქვაბულთა ძირიდან ქედების თხემებისაკენ, 250—300 *მმ*-იდან 700—900 და 1000 *მმ*-დეც. ი-ის დიდი მდინარეებია: ვიტიმი, ოლიოკმა, სელენგა, შილკა, არგუნი. დიდი ტბებია: ბაიკალი, ტორეი, ბაუნტი, ერავნინისა და სხვ.

ი. მოქცეულია ტაიგის ზონაში, რ-საც სამხრ-ით ცვლის ტყესტეპისა და სტეპის ზონები. ცხოველებიდან გვხვდება ლოსი, დათვი, სიასამური, ციყვი, შველი, ჩრდ. ირემი, გარეული თხა, ცხვარი, მღრღნელები.

ИМИЕРБАИКАЛის რკინიგზა, შეიქმნა 1959 ივლისში. გადის ჩიტისა და ამურის ოლქების ტერიტორიაზე. სამმართველოა ქ. ჩიტაში. დას-ით ესაზღვრება აღმ. ციმბ. რკინიგზა (სადგ. პეტროვსკი-ზავოდი), აღმ-ით — შორეული აღმოსავლეთის რკინიგზა (სადგ. არხარა), აგრეთვე მონღ. სრ და ჩინ. სრ რკინიგზები. მისი საექსპლუატაციო სიგრძეა 3417 *კმ*, ტვირთბრუნვა — საერთო ქსლის ტვირთბრუნვის დაახლ. 4%-მდე. მგზავრთა გადაყვანა — საერთო ქსელში გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის დაახლ. 1,5%. გზის ტვირთბრუნვისა და მგზავრბრუნვის 94%-ზე მეტი ხორციელდება თბური წევით (1970).

ИМИЕРИლის ალათაუ, ქედი ტიან-შანის სისტემაში, ყაზ. სსრ-ში, ყირგ. სსრ-თან საზღვარზე. სიგრძე დაახლ. 350 *კმ*, სიმაღლე 4973 *მ*-მდე (თალღარის პიკი). უმთავრესად აგებულია გრანიტებით, კონგლომერატებით, კირქვებითა და ფიქლებით. ზოგიერთი მწვერვალი მყინვარებითაა დაფარული. ი. ა-ს ჩრდ. კალთებზე სათავე აქვს მდ. ილის მარცხ. შენაკადებს. მთისწინეთში მშრალი სტეპია, ზემოთ — ბუჩქნარ-სტეპური მცენარეულობა, მდელოები და ტყეები (ვაშლი, ვერხვი, ტიანშანური ნაძვი). ი. ა-ს ჩრდ. მთისწინეთშია ქ. ალმა-ათა.

ИМИЕРКАВКАСИის ვაკე, ვაკე ჩრდ. კავკასიაში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდ-ით, აზოვის ზღვიდან (დას.) კასპიის ზღვამდე (აღმ.), ჩრდ-იდან შემოფარგლულია კუმა-მანიჩის ღრმულით, გადაჭიმულია დაახლ. 900 *კმ*-ზე, სიგანე 300 *კმ*-მდე. ი. 3-ის დიდი ნაწილი ეპიჰერცინულ ბაქანზე მდებარეობს. მდ-ების ყუბანისა და თერგის ქვემოთი ალპური გეოსინკლინის კიდური როფის ქვაბულია. ი. 3. სამ ნაწილად იყოფა — დას. ი. 3 მოიცავს *ყუბან-აზოვისპირა დაბლობს* ყუბანის დელტასა და ტამანის ნახევარკუნძულს; შუა ნაწილშია *სტავროპოლი მაღლობი, თერგ-სუნჯის მაღლობი;* აღმ. ი. 3-ში შედის *თერგ-კუმის დაბლობ* (კასპიისპირა დაბლობის სამხრ.-დას. კიდე). ი. 3-ის შუა და დას. ნაწილები მნიშვნელოვანი სას.-სამ. რ-ნებია. აღმ. ნაწილში გაბატონებულია ნახევარუდაბნო ლანდშაფტი. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ნავთობი და აირი.

ИМИЕРКАРპატების ოლქი, შედის უკრ. სსრ-ში. შეიქმნა 1946 წ. 22 იანვ. ფართ. 12,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 1154 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 38%. ცენტრი — ქ. უჟგოროდი. მდებარეობს აღმ. კარპატების სამხრ.-დას. კალთებს და მთისწინეთში, ნაწილობრივ ტისისპირა დაბლობზე. ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი შემოსილია ტყით. დიდი ფართობი უკავია მაღალი მთის მდელოებს. მთავარი მდინარეა ტისა (დუნაის აუზი). მდ-ები მდიდარია ჰიდროენერგორესურსებით. ტერენალია-რიკის ჰესი. ქვანახშირის, ქვამარილის, მარმარილოს მოპოვება. მინერ. წყაროები. მრეწვ. ძირითადი დარგები: ტყის, ხის დასამუშ. (მ. შ. ავეჯის, ფირფიცრის), კვებისა (უმთავრესად ღვინის) და მსუბუქი მრეწველობა. საშენ მასალათა წარმოება. სოფ. მეურნ. წამყვანი დარგია სახორცე-სარძევე მეცხოველეობა. განვითარებულია მევენახეობა, მებაღეობა, მეთამბაქოეობა. არის მარცვლეულის ნათესები (ხორბალი, ჭვავი, შვრია, სიმინდი). ი. ო. მასობრივი ტურიზმის მხარეა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1958).

ИМИЕРКАРპატების უკრაინა, ი მ ი ე რ კ ა რ პ ა ტ ე ბ ი ს რ უ ს ე თ ი, ი მ ი ე რ კ ა რ პ ა ტ ე თ ი, თანამედროვე *იმიერკარპატების ოლქის* (უკრ. სსრ) ტერიტორიის ისტორიული სახელწოდება. უძველესი დროიდან ი. უ-ის მოსახლ. აღმ. სლავთა ეთნ. ჯგუფის ნაწილი იყო. X-XI სს-ში შედიოდა კიევის რუს. შემადგენლობაში. XI ს-ში დაიპყრეს უნგრელებმა და 1919-მდე უნგრეთის, შემდეგ კი ავსტრიის, ავსტრია-უნგრ. იმპერიისა და ჩეხოსლ. შემადგენლობაში შედიოდა. 1945 საბჭ. არმიამ გაათავისუფლა; 1945 შევიდა უკრ. სსრ შემადგენლობაში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით (1946 წ. 22 იანვ.) შეიქმნა იმიერკარპატების ოლქი, რ-ის ცენტრია ქ. უჟგოროდი.

ИМИРАСАНი (ყოფ. ტ ა ლ ა ვ ე რ ი), სოფელი ბოლნისის რ-ნში (ფაცრალოს სოფსაბჭო), მდ. მაშავერის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 470 *მ*, ბოლნისიდან 13 *კმ*. ფაცრალოს მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, საფეხშლო პუნქტი. ი-ის მახლობლად (4 *კმ*) მინერ. წყლის ჩამოსხმული ქ-ნა.

ИМИРი, სოფელი მარნეულის რ-ნში (შულავრის სოფსაბჭო), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 350 *მ*, მარნეულიდან 10 *კმ*. მარნეულის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

ИМИРის გორა, ადრინდელი სამიწათმოქმედო კულტურის (ძვ. წ. VI ათასწლ.) გორანამოსახლარი სოფ. იმირის სამხრ.-დას-ით, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას (მარნეულის რ-ნი). გაითხარა 1966—71 (ა. ჯავახიშვილი, ო. ჯაფარიძე). ნამოსახლარი წარმოადგენს 4—5 *მ* სიმაღლისა და 90 *მ* დიამეტრის ბორცვს, რ-იც წარმოიქმნა ალიზის ნაგებობათა ნგრევისა და პე

ııoıoıuıı ganaıılıeıı Şeıdeıgaıd. 5 *θ*-ıeı ıtı sıısıqıı kıılıtı. ıeıı ıaıı daıdgeıı ıılıı ıa

sıamıeıı ıaıı ıaıı ıa

იდან); შუა საუკ. *„გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია“*, მეფის რუსეთი Ი. იყო პეტრე I-ის დროიდან (1721) მონარქიის დამხობამდე (1917). Ი-დ იწოდებოდა ბურჟ. საფრანგეთი ნაპოლეონ I-ის (I იმპერია) და ნაპოლეონ III-ის (II იმპერია) დროს, ავსტრია —1804-იდან (1868-იდან ავსტრია-უნგრეთი) 1918-მდე, გერმანია — 1871-იდან 1918 რევოლუციამდე. 2. მსხვილი კოლონიური სახელმწიფო. Ი-ს შეადგენს მეტროპოლია და მისი კოლონიები (მაგ., ბრიტანეთის Ი., რ-იც დიდ ბრიტანეთთან ერთად მოიცავდა ყველა მის დომინიონსა და კოლონიას).

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ (ლათ. imperialis — საიმპერატორო), რუსული ოქროს მონეტა. იჭრებოდა 1755-იდან 10 მან. ნომინალით, ტოლფასოვანი იყო 10 ვერცხლის მანეთისა. შეიცავდა 11,61 გ ოქროს. 1895—97 ფულის რეფორმამ და ბრუნვაში ოქროს ვალუტის შემოღებამ განაპირობა ძველი წონის Ი-ის მოჭრა 15 მან. ნომინალით; შესაბამისად შეიცვალა ოქროს ნახევარიმპერიალის ნომინალიც (5 მან-იდან 7 მან. და 50 კაპიკამდე). რეფორმის შემდეგ მოჭრილი 10- და 5-მანეთიანი ან. ოქროს მონეტები შეადგენდა Ი-ის 2/3 და 1/3.

ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ (ფრანგ. impérialisme, ინგლ. imperialism, გერმ. Imperialismus<ლათ. imperium — ძალაუფლება, ბატონობა), მონოპოლისტური კაპიტალიზმი, კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია, სოციალ. რევოლუციის წინადღე. Ი-ის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა მეცნ. შესწავლა ვ. ი. ლენინის ისტორიული დამსახურებაა. მის მრავალ ნაშრომში („იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ და სხვ.) მოცემულია მოძღვრება Ი-ის შესახებ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებდნენ, რომ კაპიტალიზმის განვითარებას ახასიათებს თავისუფალი კონკურენციის მონოპოლიებით შეცვლის ტენდენცია. კაპიტალიზმის შემდგომი პერიოდის მოვლენათა ანალიზისას ვ. ი. ლენინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX და XX სს. მიჯნაზე თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმი შეიცვალა იმპერიალიზმით.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა Ი-ის მოკლე და სრული განსაზღვრა. მოკლე განსაზღვრით „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 22). Ი-ის სრული განსაზღვრა მოიცავს მისი ხუთი ძირითადი ეკონ. ნიშნის დახასიათებას: 1) წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2) საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ „ფინანსური კაპიტალის“ ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3) კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4) იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ, და 5) დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის“ (იქვე, გვ. 335).

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის Ი-ში გადასვლა იყო კანონზომიერი პროცესი. XIX ს. II ნახევარში საზ-ბის საწარმოო ძალთა განვითარებაში არსებითი ძვრები მოხდა. წარმოებაში დაინერგა ფოლადის გამოდნობის ბესემერისა და მარტენის წესები (1856—64), გამოიგონეს დინამომანქანა (1867), ორთქლის ტურბინა (1883—85), შიგაწვის ძრავა (1885—86), დიზელის ძრავა (1893), შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის გადაცემა შორ მანძილზე (1891); ძირეული ცვლილებები მოხდა ტრანსპ. და კავშირგაბმ. საშუალებებში და სხვ. ტექ. აღმოჩენების შედეგად XIX ს. ბოლოს გამსაკუთრებით დაჩქარდა მძიმე მრეწვ. განვითარება.

საზ-ბის საწარმოო ძალთა სწრაფმა განვითარებამ უალრესად გააძლიერა წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე 1873 და 1900—03 კრიზისებმა, რის შედეგად მასობრივად გაკოტრდა წვრილი საწარმოები. მთავარი კაპიტალ. ქვეყნების წამყვან დარგებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს მცირერიცხოვანმა უმსხვილესმა საწარმოებმა და გაერთიანებებმა.

თავისუფალი კონკურენციის შედეგად მონოპოლიების წარმოშობა კანონზომიერია. მეტი მოგების მიღების წყურვილი და კონკურენციაში დამარცხების შიში კაპიტალისტებს უბიძგებს *კაპიტალის დაგროვებისა* და წარმოების გაფართოებისაკენ, ხოლო წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოშობს მონოპოლიას (მსხვილი კაპიტალ. საწარმო ან საწარმოთა გაერთიანება), რ-იც ხელთ იგდებს ერთი ან რამდენიმე დარგის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოებას და აბორციელებს მონოპ. ფასებში მის გასაღებას და მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღებას. მონოპ. გაერთიანებათა უმთავრესი ფორმებია კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, კონცერნი.

მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში გაბატონებული იყო სამრეწვ. კაპიტალი, მაგრამ „იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია სწორედ არა სამრეწველო, არამედ ფინანსიური კაპიტალი“ (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., იქვე, გვ. 338), რ-იც წარმოიშობა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის, სამრეწვ. და საბანკო მონოპოლიების შეზრდის ბაზაზე. ფინანს. კაპიტალის მაგნატები — ფინანს. ოლიგარქია და სხვ. კაპიტალ. ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკას წარმართავენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ფინანს. კაპიტალის ბატონობის ორგანიზაციული ფორმაა ფინანს.-მონოპ. ჯგუფი — სამრეწვ., საბანკო, საკრედიტო, დაზღვევის, ტრანსპ., სავაჭრო და სხვა კომპანიების ერთობლიობა, რ-იც ემორჩილება კაპიტალის ერთი ან ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მაგნატის კონტროლს. ასეთი ჯგუფის მეფაური საწარმო შეიძლება იყოს მსხვილი ბანკი, სამრეწვ. ტრესტი, დაზღვევის კომპანია და ა. შ.

ფინანს. ოლიგარქია, რ-იც თავდაპირველად ყველაზე განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში იქმნება, დროთა ვითარებაში ეროვნ. საზღვრებს გადალახავს და საერთაშ. მასშტაბით მოქმედებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კაპიტალის გატანა. განსხვავებით მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმისაგან, რ-ის დროსაც სახელმწიფოთა შორის ეკონ. ურთიერთობაში გადამწყვეტი საქონლის გატანა იყო, Ი-ის ეპოქაში უპირატესობა ენიჭება კაპიტალის გატანას, უმთავრესად ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

მონოპოლიები უპირველესად საშინაო ბაზარს იპყრობენ. მონოპოლიზაციის პროცესის შედეგად ჩნდება გაერთიანებები, რ-ებიც ხელთ იგდებენ მოცემული დარგის პროდუქციის მსოფლიო წარმოების მნიშვნელოვან ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მონოპოლიები გადალახავენ მოცემული ქვეყნის ფარგლებს და მოქმედებას იწყებენ საერთაშ. მასშტაბით. მსოფლიო არენაზე სხვადასხვა ქვეყნის მონოპ. გამოჩენა ამწვავებს კონკურენციულ ბრძოლას, რაც მათ შეთანხმებისაკენ უბიძგებს. შეთანხმების მიზანია გასაღების მსოფლიო ბაზრის, ნედლეულის წყაროების, კაპიტალის გატანის სფეროების განაწილება, ფასების დაწესება მაქს. მონოპოლ. მოგების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, ჩნდება საერთაშ. მონოპოლია ანუ, ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ზემონოპოლია. საერთაშ. მონოპოლიებს მიზნების განხორციელებაში ხელს უწყობენ საკუთარი ქვეყნების მთავრობები. საერთაშ. მონოპოლიების ბრძოლას მსოფლიო ბატონობისათვის შეესაბამება „... საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება დიდ სახელმწიფოთა ბრძოლით მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განაწილებისათვის...“ (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., იქვე, გვ. 330). მთელი ამ პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და ლოგიკური დასასრული იყო მსხვილ სახელმწიფოებს შორის დედამიწის ტერიტ. დაყოფა (რაც XIX—XX სს. მიჯნაზე დამთავრდა) და Ი-ის კოლონ. სისტემის ჩამოყალიბება. მაგრამ მონოპ. კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ეკონ. და პოლიტ. განვითარების უთანაბრობის შედეგად იმპერიალ. სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობა ხშირად იცვლება, რაც იწვევს განაწილებული მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის ბრძოლას და მსოფლიო იმპერიალ. ომებს.

Ი-ის ყოველმხრივი მეცნ. ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა გამოიტანა დასკვნა, რომ „იმპერიალიზმად, ე. ი. მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაზრდილი კაპიტალიზმი ომის გავლენით სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაიქცა“ (იქვე, ტ. 26, გვ. 452—453), რაც ნიშნავს მონოპოლიების ძალის შეერთებას სახელმწიფო ძალასთან, მონოპოლიების მიერ სახელმწ. აპარატის დაპყრობილებასა და გამოყენებას მწარომელთა ექსპლუატაციის გასაძლიერებლად, მსოფლიო ბატონობის შენარჩუნებისა და მაქს. მოგების მიღებისათვის.

„იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალიზმის განსაკუთრებულ ისტორიულ სტადიას. ეს განსაკუთრებულობა სამგვარია: იმპერიალიზმი არის (1) — მონოპოლისტური კაპიტალიზმი; (2) — პარაზიტული ანუ ლპობადი კაპიტალიზმი; (3) — მომაკვდავი კაპიტალიზმი“ (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., იქვე, ტ. 23, გვ. 130). Ი-ის ძირითადი ნიშანია თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიების ბატონობით. Ი-ის არსი ვლინდება წარმოებაზე, ვაჭრობაზე, ფინანსებზე, ნედლეულსა და საზ. ცხოვრების სხვა სფეროებზე მონოპოლიების ბატონობით, რაც გარდაუვალად წარმოშობს პარაზიტიზმისა და ლპობის ტენდენციას. Ი-ის ეპოქაში უალრესად მწვავდება კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობა, რ-თა შორის მთავარია წინააღმდეგობანი შრომასა და კაპიტალს შორის, იმპერიალ. სახელმწიფოებს შორის და სხვ. ამ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების შედეგი კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რ-იც დაიწყო I მსოფლიო ომითა და ოქტ. სოციალ. რევოლუციით. აქედან დაწყებული Ი. ვითარდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში. ეს კრიზისი უალრესად გაამწვავა II მსოფლიო ომის შედეგ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობამ და Ი-ის კოლონ. სისტემის დაშლამ. Ი-მა დაკარგა მსოფლიო ჰეგემონია, ძალთა თანაფარდობა შეიცვალა სოციალ. სისტემის სასარგებლოდ.

Ი-ის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. თანამედროვე Ი-ის ერთ-ერთი თავისებურებაა სახელმწიფოს ეკონ. როლის გაძლიერება სახელმწ. საკუთრებისა და მეწარმეობის გაფართოება, ეკონ. რეგულირების ღონისძიებათა განხორციელება.

II მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ძვრები მოხდა კაპიტალის გატანის მოცულობასა და სტრუქტურაში. შეიცვალა ქვეყნები ხვ. წ. კაპიტალგატანის საერთო მოცულობაში. ოთხი უდიდესი ბურჟ. სახელმწიფოს (აშშ-ის, გერმ., ინგლ., საფრ.) კაპიტალგატანაში 1913 ინგლ. წილად მოდიოდა 48,6%, აშშ-ის წილად — 10,9%

1938 შესაბამისად — 58% და 30%, 1972— 19,4% და 62,5%.

თანამედროვე ი-ის პირობებში გაძლიერდა წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. ამის უშუალო გამოხატულებაა იმპერიალ. ინტეგრაცია. მსოფლიოს ეკონ. დანაწილებისა და ეკონ. რეგულირების საერთაშ. ფორმების წარმოშობის მაგალითია „ევროპის საერთო ბაზარი".

თანამედროვე ი-თვის დამახასიათებელია განვითარების უთანაბრობის შემდგომი გაძლიერება და მთავარ იმპერიალ. ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება. ი-ის უდიდესი ცენტრია აშშ, მაგრამ II მსოფლიო ომის შემდეგ განვითარების უფრო სწრაფი ტემპის წყალობით თავიანთი კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად გაადიდეს „საერთო ბაზარმა" და იაპონიამ.

XX ს. დასაწყისიდან, როცა დასრულდა კაპიტალ. მეურნეობის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბება, რუსეთიც შევიდა განვითარების იმპერიალ. ფაზაში. რუს. ი-ს ახასიათებდა შემდეგი თავისებურებანი: 1. ბატონყმობიდან კაპიტალიზმზე გადასვლისა და ამ უკანასკნელის იმპერიალიზმში გადაზრდის პროცესთა ხანმოკლე პერიოდი; 2. უახლესი კაპიტალ. მონოპოლიების უშუალო კავშირი ფეოდალური ეპოქის მონოპოლიებთან; 3. რუსეთის თავისებური კავშირურთიერთობა მსოფლიო ი-თან (ჯერ ერთი, რუსეთი თვითონ იბრძოდა მსოფლიოს გადანაწილებისათვის, მეორე, იგი იყო კაპიტალის გატანის სფერო დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისათვის) და სხვ. ი-ზე გადასვლის მთავარი წინამძღვარი რუსეთში იყო წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე.

რუსეთში ი-ის წარმოშობას ჰქონდა საკუთარი, შინაგანი საფუძველი. ამასთან, იგი იყო მონოპ. კაპიტალიზმის განვითარების მსოფლიო-ისტ. პროცესის შემადგენელი ნაწილი. ი-ზე გადასვლა დაჩქარა რუს. მრეწვ. წამყვან დარგებში (სამთო-მოპოვებითი, მეტალ. და სხვ. დარგები) უცხოეთის კაპიტალის იმპორტმა. 1914 უცხ. კაპიტალი შეადგენდა მთელი სააქციო კაპიტალის 1/3-ზე მეტს. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე უცხოეთის ბანკებმა. 1913 რუს სახელმწ. ვალი შეადგენდა 5,4—5,6 მლრდ. მან. ეს რუს. მთავრობას აიძულებდა ეკონ. და პოლიტ. დამოობაზე წასულიყო თავისი უცხ. კრედიტორების წინაშე.

წარმოების მონოპოლიზაციის პროცესი რუსეთში რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა: 80—90-იანი წლებისათვის დამახასიათებელი იყო დროებითი მონოპოლიური შეთანხმებები; 1900-იანი წლების მსოფლიო კრიზისმა დააჩქარა მსხვილი, მტკიცე სინდიკატების შექმნა, ხოლო 1910—13 სამრეწვ. აღმავლობამ გამოიწვია მონოპოლიების განსაკუთრებით სწრაფი გავრცელება. 1909 რუსეთში იყო 140 მონოპ. გაერთიანება, 1914 კი — უკვე 150, რ-ებშიც თავმოყრილი იყო თითქმის მთელი მსხვილი წარმოება. რუს. წარმოების მონოპოლიზაციის პროცესის ერთ-ერთი თავისებურება იყო სინდიკატების ფართო გავრცელება („პროდამეტი", „პროდუგოლი", „პროდვაგონი").

სამრეწვ. და საბანკო კაპიტალის შეზრდისა და ფინანს. კაპიტალის წარმოშობის პროცესი, რ-იც დაიწყო რუსეთში XIX ს. ბოლოს, განსაკუთრებით გაძლიერდა XX ს. დასაწყისში. 1900—14 რუს. ბანკების ძირითადი რესურსები გაიზარდ: 4-ჯერ. ამასთან, დაჩქარდა საბანკო კაპიტალის კონცენტრაცია, რის შედეგადაც ტიპური საბანკო მონოპოლიები წარმოიშვა. I მსოფლიო ომმა გააძლიერა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია და ხელი შეუწყო მონოპოლიებისა და სახელმწ. ძალების შეერთებას, სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარებას. მიუხედავად ამისა, ი. ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული რუს. მთელი ეკონ. მომცველ სისტემად, როცა დიდმა ოქტ. სოციალ. რევოლუციამ ბოლო მოუღო მას.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მისივე, იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა, იქვე, ტ. 23; მისივე, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, იქვე, ტ. 22; მისივე, პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა, იქვე, ტ. 23; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ., 1969; ბრეჟნევი ლ. ი., სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIV ყრილობას, 1971 წლის 30 მარტს, თბ., 1971; მისივე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოხსენება სკკპ XXV ყრილობას, 1976 წლის 24 თებერვალს, თბ., 1976.

ირ. ქვაჩახია.

„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", ვ. ი. ლენინის ნაშრომი, რ-შიც მან მარქსისტებს შორის პირველმა გამოიკვლია *იმპერიალიზმის* ეკონ. და პოლიტ. არსი. ლენინის ეს შრომა კ. მარქსის „კაპიტალის" უშუალო გაგრძელება და შემდგომი განვითარებაა. იგი ვ. ი. ლენინმა ემიგრაციაში (შვეიცარიაში) ყოფნის დროს დაწერა. შესულია ლენინის თხზ. მე-4 ქართ. გამოცემის 22-ე ტომში. „ბროშურა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — დაწერილია მეფის ცენზურის პირობებში. ამიტომ მე არა მარტო იძულებული ვიყავი სასტიკად შემეზღუდა ჩემი თავი მარტოოდენ თეორიული — განსაკუთრებით კი ეკონომიკური — ანალიზით, არამედ აგრეთვე ჩამომეყალიბებინა აუცილებელი არამრავალრიცხოვანი შენიშვნები პოლიტიკის შესახებ უდიდესი სიფრთხილით, გადაკვრით, იმ ეზოპური — წყეული ეზოპური — ენით, რომლის ხმარებასაც აიძულებდა ცარიზმი ყველა რევოლუციონერს, როდესაც ისინი «ლეგალური» ნაწარმოების დასაწერად კალამს ჰკიდებდნენ ხელს" (თხზ., ტ. 22, გვ. 231). წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი", დაიბეჭდა 1917, სექტემბერში. ნაშრომი თარგმნილია ყველა ევრ., ჩინ., იაპ. და სხვა ენებზე. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა იგი სახ.-დემოკრ. ქვეყნებში. ი. სტალინი, რ-იც დიდად აფასებდა ამ წიგნს, წერდა: „ლენინმა «კაპიტალის» ძირითად დებულებებზე დაყრდნობით, . მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზის, დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, გამოააშკარავა კაპიტალიზმის იარები და მისი გარდუვალი დალუპვის პირობები. ამ ანალიზის საფუძველზე წარმოიშვა ლენინის ცნობილი დებულება, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში" (თხზ., ტ. 10, გვ. 100).

კ. მარქსის „კაპიტალის" გამოსვლის შემდეგ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე დაგროვილი დიდძალი ისტ. მასალის ღრმა მეცნ. ანალიზის საფუძველზე ლენინმა, მარქსისტებს შორის პირველმა, მოგვცა კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის ყოველმხრივი, ღრმა მეცნ. ანალიზი. ყოველივე ამან კომუნისტურ პარტიას მისცა შესაძლებლობა გარკვეულიყო იმპერიალიზმის ეკონ. არსში, გაეკეთებინა აუცილებელი პოლიტ. დასკვნა. ლენინის ეს ნაშრომი პირდაპირ უპასუხებდა პროლეტარიატის რევ. ბრძოლის მომწიფებულ მოთხოვნებს. იმპერიალიზმის ეპოქის ანალიზის საფუძველზე ლენინი აღნიშნავდა, რომ იმპერიალ. პოლიტიკის შინაარსია „მსოფლიო ბატონობა", რ-ის გაგრძელება იმპერიალისტური ომია. ამ გენიალურ დასკვნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიისათვის, რ-საც უნდა შეემუშავებინა სწორი ტაქტიკა, რათა ემხილებინა ნამდვილი არსი საერთაშ. ოპორტუნიზმისა, რ-იც მხარს უჭერდა იმპერიალისტურ ომს. ნაშრომში „ი., რ. კ. უ. ს." ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა თეზისი, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია, სოციალ. რევ. წინადღე. ამ ნაშრომმა პროლეტარიატი და მისი პარტია შეაიარაღა სოციალიზმისათვის პრძოლის ნათელი იდეებით, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა საერთაშ. ოპორტუნიზმს. კ. მარქსის „კაპიტალის" მსგავსად, იგი რთული საზ. მოვლენების ანალიზის დროს დიალექტ. მატერიალიზმის მეთოდის გამოყენების ბრწყინვალე ნიმუშია. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა სისწორე კ. მარქსის მოძღვრებისა კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, აგრეთვე წარმოების კონცენტრაციის შესახებ. იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნების ყოველმხრივმა დასაბუთებამ ლენინს შესაძლებლობა მისცა მთელი სიღრმით დაეყენებინა და გადაეწყვიტა იმპერიალიზმის ისტ. ადგილის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მან დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებული სტადია, სახელდობრ, მონოპოლისტური სტადია; იმპერიალიზმი წარმოადგენს მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი თვისებების განვითარებას და პირდაპირ გაგრძელებას. კაპიტალიზმი გადაიქცა იმპერიალ. კაპიტალიზმად.

ლენინის შრომა „ი., რ. კ. უ. ს." მარქსიზმის ეკონ. თეორიის განვითარების ახ., ლენინური ეტაპია. ეს წიგნი ბასრი იარაღია უახლესი ბურჟ., სოც.-რეფორმისტული („სახალხო კაპიტალიზმის", „კონვერგენციის") და სხვა თეორიების წინააღმდეგ საბრძოლველად. *ჰ. ლემონჯავა.*

იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ დედამიწის მოსახლეობის გიგანტური უმრავლესობის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის მსოფლიო სისტემა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ყველა ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი. შეიქმნა კაპიტალიზმის იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლისა (XIX ს. უკანასკნელი მესამედი — XX ს. დასაწყისი) და მონოპ. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დაწყებასთან ერთად დაიწყო ი. კ. ს-ის კრიზისიც, ხოლო II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ი. კ. ს. დაიშალა. ამ პირობებში იმპერიალიზმმა კოლონ. დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების მიმართ გამოიყენა ნეოკოლონიალიზმის სხვადასხვა ფორმა (*იხ. კოლონიები და კოლონიური პოლიტიკა, ნეოკოლონიალიზმი*).

„იმპერიულ ქემიკლ ინდასტრიზ" (Imperial Chemical Industries), უდიდესი ქიმიური ტრესტი დიდ ბრიტანეთში. დაარსდა 1926 ქვეყნის 4 წამყვანი ქიმ. კომპანიის შერწყმის შედეგად. კონტროლს უწევს ინგლ. ქიმ. საქონლის წარმოებისა და ექსპორტის დაახლ. 1/3-ს. მოიცავს 500-ზე მეტ კომპანიას დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებში. მისი აქტივების 60%-ზე მეტი დიდი ბრიტ. ფარგლებს გარეთაა. მონოპოლიის პროდუქციაა ორგ. და არაორგ. ქიმ. ნაწარმი, ნავთობქიმ. საქონელი, მედიკამენტები, ფეთქებადი ნივთიერებანი და საღებრები. შედის ჩემბერლენების, მელჩეტებისა და როტშილდების ფინანს. ჯგუფში. 1975 გაყიდა 6,9 მლრდ. დოლარის პროდუქცია, წმინდა მოგება — 424 მლნ. დოლარი, დასაქმებულია 195 ათ. კაცი.

იმპერიის რაინდები (Reichsritterschaft), „სალვთო რომის იმპერიაში" აზნაურობის დაბალი ფენის წარმომადგენლები, რ-თაც ეკავათ საიმპერიო ლენები და იმპერატორის უშუალო ვასალები



ელექტრული იმპულსი. ნახ. 1. სხვადასხვა ფორმის ელექტრული იმპულსები: ა—სწორკუთხა; ბ—ტრაპეციისებრი; გ—ექსპონენციალური; დ — ზარხუფისებრი; ე—რადიოიმპულსი. A—ამპლიტუდა; t_n და τ—იმპულსის ხანგრძლივობა; T—პერიოდი; t_{ns} — იმპულსის ხანგრძლივობა 0,5 ა დონეზე.

იმპრესიონიზმი. ო. რ ე ნ უ ა რ ი. „მობანავე ქალები“. 1884—87. ტაისონის კუთვნილება. ფილადელფია.

იყენენ. ი. რ. უმეტესად *მინისტერიალების* წრეს ეკუთვნოდნენ. XV—XVI სს-ში ცენტრ. ხელისუფლების დასუსტების გამო ი. რ. ვერ უმკლავდებოდნენ მთავრებს, ლატაკდებოდნენ, მათზე დამოკიდებული ხდებოდნენ. 1522—23 ი. რ-თა ამბოხება (იხ. *რაინდთა აჯანყება გერმანიაში 1522—23*) დამარცხდა. 1806, „სალვთო რომის იმპერიის“ გაუქმების შემდეგ, ი. რ-თა სამფლობელოები *რაინის კავშირის* სახელმწიფოების შემადგენლობაში შეიყვანეს.

იმპერიუმი (ლათ. imperium), რომის სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო-სამოსამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, რ-იც ადრე მეფეს ეკუთვნოდა, ხოლო რესპუბლიკის შექმნიდან მაგისტრატებს (დიქტატორი, კონსული, პრეტორი, ცენზორი, ედილი, კვესტორი) უნაწილდებოდა.

იმპეტიგო (ლათ. impetigo<impeto— თავს ვესხმი, ვამარცხებ), კანის გადამდები დაავადება, რ-საც იწვევს სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები. უმეტესად უჩნდებათ ბავშვებს და ზოგჯერ ეპიდემიის ხასიათსაც ღებულობს. ვლინდება ჩირქოვანი გამონაყრის სახით (იხ. *პიოდერმია*). არსებობს ი-ს განსაკუთრებული ფორმა, რ-საც ახასიათებს *ჰერპესის* ტიპის გამონაყარი, მისი გამომწვევი მიზეზი ჯერ არ არის დადგენილი; ფიქრობენ, რომ ენდოკრინული, ტოქსიკური ან ნერვული წარმოშობისაა. უმეტესად აღენიშნებათ ქალებს ფეხმძიმობისას (ფეხმძიმობის შეწყვეტის შემდეგ გამონაყარი ქრება).

იმპლანტაცია [ლათ. in(im)—ში, შიგნით და plantatio — დარგვა], ადამიანისა და ძუძუმწოვარი ცხოველების ჩანასახის მიმაგრება საშვილოსნოს კედელზე. არსებობს ი-ის 3 მთავარი ტიპი: ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი, როცა ჩანასახი რჩება საშვილოსნოს ღრუში და მის კედელს ემაგრება მხოლოდ *ტროფობლასტის* მთელი ზედაპირით ან მისი ნაწილით (ღამურები, მცოცნელები); ე ქ ს ც ე ნ ტ რ უ ლ ი, როცა ჩანასახი ხვდება საშვილოსნოს კედლის ლორწოვანი გარსის ნაოჭებს შორის, რ-ებიც ერთიმეორეს შეეზრდება და ქმნის იზოლირებულ სიმპლანტაციო კამერას (მღრღნელები); ი ნ ტ ე რ ს ტ ი ც ი ა ლ უ რ ი, როცა ჩანასახი არღვევს საშვილოსნოს ლორწოვან გარსს და მთლიანად საშვილოსნოს კედელში იჭრება (პრიმატები, ადამიანი).

იმპლიკაცია, იხ. *მაკავშირებელი.*

იმპლოზიური თანხმოვნები, ხშვის გაუხსნელად წარმოთქმული ხშული თანხმოვნები. მაგ., პირველი დ სიტყვებში: ბინდდება, დიდდება, ზედდა და სხვ.

იმპორტი (ინგლ. import<ლათ. importo — შემომაქვს), საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან შემომტანი ქვეყნის საშინაო ბაზარზე სარეალიზაციოდ; საპირისპიროა ექსპორტი — საქონლის გატანა საზღვარგარეთ. იხ. *საგარეო ვაჭრობა.*

იმპოტენცია, იგივეა, რაც *სქესობრივი უძლურება.*

იმპრესარიო (იტალ. impresario<imprendere — წამოწყება, თაოსნობა), ბურჟუაზიულ ქვეყნებში კერძო მოსაქმე, სანახაობითი დაწესებულებების ორგანიზატორი, კონცერტების მომწყობი, დიდი მსახიობ-გასტროლიორის აგენტი, რ-იც მისი სახელით აფორმებს კონტრაქტებს. XVI—XVII სს. იტალიაში ი-ს უწოდებდნენ თეატრის დირექტორებს, კერძო დასის მფლობელებს და სხვ. იხ. აგრეთვე *ანტრეპრენიორი.*

იმპრესიონიზმი (ფრანგ. impressionnisme < impression — შთაბეჭდილება), მიმართულება XIX ს. ბოლო მესამედისა და XX ს. დასაწყისის ხელოვნებაში. საფუძველი ჩაეყარა საფრანგეთში 1860-იანი წწ. დასასრულსა და 1870-იანი წწ. დასაწყისში. აყვავების პერიოდში (1870-იანი წწ. — 1880-იანი წწ. I ნახევარი) ი-ს წარმოადგენდა მხატვართა ჯგუფი (კ. მონე, ო. რენუარი, ე. დეგა, კ. პისარო, ა. სისლეი, ბ. მორიზო და სხვ.), რ-ის მიზანი იყო ხელოვნების განახლება, სალონური აკადემიზმის დაძლევა. 1874-იდან 1886-მდე იმპრესიონისტებმა მოაწყვეს 8 გამოფენა. ე. მანე, რ-მაც ჯერ კიდევ 1860 განსაზღვრა ი-ის მიმართულება და 1870—80 მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან, ამ ჯგუფში არ შედიოდა. სახელწ. „ი.“ წარმოიშვა 1874 გამოფენის შემდეგ, სადაც ექსპონირებული იყო კ. მონეს „შთაბეჭდილება, ამომავალი მზე“ („Impression, Soleil levant“, 1872, დაცულია მარმოტანის მუზეუმში, პარიზში).

ი. განაგრძობდა 1840—60-იანი წწ. რეალისტური ხელოვნების მიერ კლასიციზმის, რომანტიზმისა და აკადემიზმის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას და ფერწერაში ამკვიდრებდა ყოველდღიურობის სილამაზეს, დემოკრ. მოტივებს, ცოცხალ სინამდვილეს. იმპრესიონისტები გადმოსცემდნენ სამყაროს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, ბუნების მუდმივ ცვალებადობას; ყურადღებას ამახვილებდნენ თითქმის შემთხვევით დაჭერილ, წამიერ მომენტებზე, პეიზაჟებში, პორტრეტებში, მრავალფიგურიან კომპოზიციებში ისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ უშუალობა, „პირველი შთაბეჭდილების“ სიახლე, გამოესახათ სამყარო როგორც ცვალებადი ოპტ. მოვლენა. იმპრესიონისტების შემოქმედებაში დიდი ადგილი დაიჭირა სპეციფ. ქალაქური გართობის თემამ. ამასთან, მათ ხელოვნებაში სუსტია სოც. კრიტიკა იმპრესიონისტები ავითარებდნენ *ბარბიზონის სკოლის* ტრადიციებს, აგრძელებდნენ ჟ. კონსტებლის, აგრეთვე კ. კოროს, ე. ბუდენის, ი. ბ. იონგკინდის პლენერულ (იხ. *პლენერი*) ძიებებს. ღიაცის ქვეშ მუშაობამ იმპრესიონისტებს საშუალება მისცა აესახათ ბუნება მთელი მისი რეალური სიცხოველით, დაეჭირათ შუქის უმნიშვნელო ცვალებადობაც (განსაკუთრებით მონეს ნამუშევრებში). იმპრესიონისტებმა შექმნეს ფერწერული სისტემა, რ-იც გამოირჩევა ტონების რთული გრადაციით, სუფთა ფერების ერთმანეთთან შერწყმით, ნათელი ფერადოვანი გამით, ვალიორისა და რეფლექსების სიმდიდრით, ფერადოვანი ჩრდილ-ნათელით. მათ სურათებში მოცულობა ითქვიფება ფერადოვან გარსში და იძენს მოქნილობას. სუფთა ფერების თამაშით სურათის გამა მთრთოლვარე და რელიეფური ხდება, რითაც იქმნება დაუმთავრებლობის შთაბეჭდილება, სახის ჩამოყალიბება მნახველის თვალწინ მთავრდება. ამას მხატვარი აღწევდა იმპროვიზაციის ეფექტით, რ-საც იმპრესიონისტების წინამორბედები მხოლოდ ეტიუდებში იყენებდნენ. იმპრესიონისტების კომპოზიციები ასიმეტრიულია, რაკურსები — მოულოდნელი და რთული, სივრცეს ხშირად დაკარგული აქვს სიღრმე და „გადმობრუნებულია“ სიბრტყეზე ან უსასრულობაში იკარგება. 1880-იანი წწ. შუა ხანებში ი-მა, როგორც ერთიანმა სისტემამ, მიმდინარეობამ, ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. ესთეტ. თვითღირებულების, ფერის გამოსახვის ახ. შესაძლებლობების გამოვლენა, შესრულების მანერის ხაზგასმული ესთეტიზაცია შემდეგ განავითარა და გაალრმავა *ნეოიმპრესიონიზმმა* და *პოსტიმპრესიონიზმმა.* ი-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სხვადასხვა ქვეყნის ფერმწერებზე (მ. ლიბერმანი, ლ. კორინტი გერმანიაში; კ. კოროვინი. ვ. სეროვი, ი. გრაბარი, ადრეულ პერიოდში მ. ლარიონოვი რუსეთში და სხვ.). ი-ის გავლენა ნათლად ჩანს ქანდაკებაში (ე. დეგა, ო. როდენი საფრანგეთში; მ. როსო იტალიაში; პ. ტრუბეცკოი, ა. გოლუბკინა რუსეთში). ი-ის ტრადიციები იგრძნობა XX ს. რეალისტურ ხელოვნებაშიც.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი იმპრესიონისტული სტილის გავლენა უკვე ფაქტია XIX ს. დასასრულიდან. ი-ს მწერლობაში მხატვრობისგან განსხვავებული სპეციფიკა ჰქონდა. ი-დმი ინტერესი გამოამჟღავნეს სრულიად განსხვავებული მიმართულების მწერლებმა; ი-ის მონაპოვარში იმთავითვე იქნა აღმოჩენილი საგნისა და განწყობილების იმდაგვარად წარმოჩენის შესაძლებლობა, რასაც გვერდს უვლიდა თხრობის რეალისტური მანერა. ბუნდოვანი მინიშნება, გაჩუმება, ფრაზის დაუმთავრებლობა იდუმალება მხატვრული გამომსახველობის განმსაზღვრელ საშუალებებად იქცა. გ. ტაბიძის თქმით, „სიტყვა ნაწყვეტი გამოგვიცხადებს უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა“. სულიერი ცხოვრებისადმი ყურადღების მაქს. გამახვილებამ ლიტ-რაში ე. წ. „ფსიქოლოგიური ი-ის“ წინამძღვრები წარმოშვა. მის სათავეებთან ჟ. და ე. გონკურები იდგნენ. იმპრესიონისტული ხედვის მანერისადმი თანაბარი ძალით იჩენენ ინტერესს პროზასა და დრამატურგიაში. კ. ჰამსუნის, ა. შნიცლერის, ო. უაილდის, ჰ. ფონ ჰოფმანსთალისა და სხვ. მწერლების შემოქმედებაში ნათლად გამოიკვეთა ი-ის კვალი. ი. XX ს. ფსიქოლ. რომანის და, კერძოდ, ლიტ-რაში ე. წ. „ცნობიერების ნაკადის“ წინამორბედ მოვლენად მიიჩნევა (მ. პრუსტი). ისე როგორც ბევრ ევრ. ქვეყანაში, საქართველოშიც ი. თავისებურად შეერწყა სიმბოლიზმს. ამ მხრივ დამახასიათებელია გ. ტაბიძის ლირიკა. იმპრესიონისტული ხედვის მანერა შესამჩნევია ნ. ლორთქიფანიძის პროზაში.

მ უ ს ი კ ა შ ი ი. აღმოცენდა XIX ს. 80—90-იან წლებში. ტერმინ „ი-ის“ გამოყენება მუსიკაში პირობითია, იგი არ არის ანალოგიური ი-ისა სახვით ხელოვნებაში. მუს. ი-ში მთავარია სიმბოლური მნიშვნელობისა და უნაზესი ფსიქოლ. ნიუანსების მქონე განწყობილებების გადმოცემა, მისწრაფება პოეტური პეიზაჟური პროგრამულობისაკენ. ი-ის ნიშნები გამოვლინდა მ. რაველის, პ. დიუკას, ფ. შმიტის, ჟ. ჟ. როჟე-დიუკასის და სხვ. ფრანგ კომპოზიტორთა შემოქმედებაში, კლასიკური გამოხატულება კი კ. დებიუსის მუსიკაში პოვა. იმპრესიონისტ კომპოზიტორთა შემოქმედებამ გაამდიდრა მუსიკის გამომსახველობითი საშუალებები. XX ს. დასაწყისში მუს. ი. გავრცელდა საფრ. გარეთაც, ინგლისში (ფ. დელიუსი, ს. სკოტი), პოლონეთში (კ. შიმანოვსკი) და სხვ. ი-ის ესთეტიკის გავლენა XX ს. მიჯნაზე განიცადეს რუსმა კომპოზიტორებმა ა. სკრიაბინმა, ი. სტრავინსკიმ და სხვ.

თ ე ა ტ რ შ ი XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში მსახიობები და რეჟისორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ამა თუ იმ სცენის განწყობილების შექმნას, რიტმების მოულოდნელი ცვლა, ფერწერული ლაქების გამოყენება სპექტაკლს ემოციურ სიმძაფრეს ანიჭებდა, ეს კი თავის მხრივ აშიშვლებდა ყოველდღიური ცხოვრების მიღმა მიმალულ დრამატიზმს. იმპრესიონისტულ ხერხებს იყენებდნენ ა. ანტუანი საფრანგეთში, მ. რაინჰარდტი გერმანიაში, ვ. მეიერხოლდი რუსეთში. მოსკ. სამხატვრო თეატრი ჩეხოვის პიესებში. იმპრესიონისტული ნიშნები ახასიათებს ბ. რეჟანის (საფრანგეთი), ე. დუზეს (იტალია), ვ. კომისარჟევსკაიას (რუსეთი) და სხვ. მსახიობთა ხელოვნებას.

ლიტ.: Вальцель О., Импресси-

ізм и экспрессионизм в современной рмании, П., 1922; Гаман Р., Импрессионизм в искусстве и в жизни, М., 1935; егодаев А. Д., Импрессионисты, ., 1971.

ілюстрація—იხ. ჩანართი, გვ. 129.

ІМПРЕСІОНІЗМІС ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ პარიზი, ფრანგული ფერწერის (1860—1910) ეიდესი კოლექციი მსოფლიოში. Ი. მ. ვრცელებული სახელწოდებაა ᲫᲕᲔ ᲓᲔᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲘᲡᲐ. იგი აგებულია ბურთის სათამაშო დარბაზის ადგილას eu de Paume). Ი. მ. დაარსდა 1920, ადნისტრაციულად ექვემდებარება ლუვრს.

თავმოყრილია იმპრესიონიზმის წინარბედებისა და იმპრესიონისტების (ე. ედენის, ი. ბ. იონგკინდის, ე. მანეს, ე. ეგას, კ. მონეს, კ. პისაროს, ა. სისლეის, რენუარისა და სხვ.), ნეო- და პოსტიმპესიონისტების (პ. სეზანის, ჟ. სიორას, ვან გოგის, პ. გოგენის, ა. ტულუზ-ლოტკის) ნამუშევრები.

ლიტ.: Le Musée de l'impressionnis, P., 1965.

ІМПРОВІЗАЦІЯ (<ლათ. improvisus — ულოდნელი, უეცარი), შემოქმედების ხეობა, მხატვრული ნაწარმოების შექმნა სი შესრულების პროცესშიეე. Ი. შესაძებელია პოეზიაში, მუსიკაში, თეატრში სხვ. პოეტური Ი. დამახასიათებელია უპირატესად ხალხური შემოქმედებითვის (აედოსების, აკინების, ბარდების, ნესტრელების, მესტვირეების, ტრუბადურების შემოქმედება). Ი-ის საუკეთესო ნიმუშია ქართ. *გალექსება, გაშაირება, კა*ა. მხატვრული სიტყვის მრავალი ოსტა ი (ა. მიცკევიჩი, ა. პუშკინი, ვ. ბრიუსოვი, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, პ. იაშვილი და სხვ.) უბადლო იმპროვიზატორიც ო. Ი-ის ერთ-ერთი სახეა *ექსპრომტი*.

მუსიკალური Ი. პროფ. მუსიკაში ვრცელდა შუა საუკუნეებში. XV—XVIII -ში Ი-ს მიმართავდნენ პოლიფონიურ მუიკაში (ფუგა, პრელუდია), *გენერალ*ბასის სისტემაში. მუს. ტექსტის ზუსტად ფწერის შესაძლებლობამ XVIII—XIX სს-ს ალკვეთა შემსრულებლის თვითნებობა, უმცა XIX ს. დასაწყისში საკონცერტო ესრულების დროს Ი. სპეც. ნომრის სახით ინც გვხვდებოდა ვირტუოზ შემსრულელ-კომპოზიტორთა პრაქტიკაში (ლ. ბეთოვენი, ნ. პაგანინი, ფ. ლისტი, ფ. შოპენ). თანამედროვე მუს. პრაქტიკას Ი. შეერჩა როგორც ჯაზის და ზოგიერთი ავანგარდისტული" მიმდინარეობის აუცილებელი კომპონენტი. ზოგიერთი თანამედროვე მუს.ნაწარმოების სახელწ. მიუთითებს ს ნაწილობრივ კავშირზე Ი-თან, მაგ., ანტაზია", „ექსპრომტი", „პრელუდია", იმპროვიზაცია" და სხვ. ᲪᲔᲙᲕᲐᲨᲘ ძველთაგანვე იყო ხალხური წეს-ჩვეულებების, თამაშობებისა და დღესასწაულების განუყოფელი ნაწილი. აზიისა და ღმოსავლეთის ქვეყნებში კი იგი პროფ. აცეკვაო ხელოვნებაშიც გვხვდება. XX ს-ში ორეოგრაფიაში მუსიკის როლის გაზრამ გამოიწვია Ი-ის კიდევ ერთი სახეობის ბრენა — მუსიკის ინტუიციური გამოხატვა ეკვით. იმპროვიზაციული იყო ა. *დუნკანის* ქორეოგრაფია, რ-მაც დიდი გავლენა ქონია XX ს. 20-იანი წწ. საცეკვაო ხელოვნებაზე. Ი-ს ფართოდ იყენებენ სამეჯლისო ეკვებშიც (ჩარლსტონი, ლიფსი, ტვისტი, ეიკი და სხვ.). თეატრში Ი. ემყარება მსახიობის უნარს წინასწარი მომზადების გარეშე, სპექტაკლის მსვლელობის როს შექმნას სცენური სახე, იმოქმედოს, ეთხზას საკუთარი ტექსტი მოცემულ თემაზე. Ი. დამახასიათებელია ხალხური ეატრ. შემოქმედებისათვის. იგი იყო და რის აღმოსავლური თეატრის ერთ-ერთი ირითადი ელემენტი. გვხვდებოდა აგრეთვე ანტ., შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის თეატრში. Ი-ის ხელოვნებამ მაღლეს დონეს მიაღწია *კომედია დელ' ტტეში* (XVI—XVIII სს.) და ფრანგულ ჯარსში (XV—XVI სს.). კ. სტანისლავსკიმ Ი. გამოიყენა როგორც მსახიობებთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი. იმპროვიზაციულ ხერხებს იყენებდნენ ვ. მეიერხოლდი და ე. ვახტანგოვი (კ. გოცის „პრინცესა ტურანდოტი").

ІМПУЛЬСІ (ლათ. impulsus — დარტყმა, ბიძგი), 1. მექანიკური Ი., მექანიკური მოძრაობის ზომა; ვექტორული სიდიდე, რ-იც უდრის ნაწილაკის m მასის ნამრავლს მის v სიჩქარეზე: $p = mv$. იგივეა, რაც *მოძრაობის რაოდენობა*. Ი. გააჩნია მატერიის ყველა ფორმას.

2. ტალღური Ი., ერთჯერადი შეშფოთება, რ-იც სივრცეში ან გარემოში ვრცელდება. ასეთი Ი-ის მაგალითებია ბგერითი Ი. (მაგ., თოფის გასროლის შედეგად წარმოქმნილი Ი.) და სინათლის Ი.

ІМПУЛЬСІ ელექტრული, ელექტრული დენის ან ძაბვის მეყსეული ცვლილება ელექტრულ წრედებში მიმდინარე გარდამავალი პროცესების ხანგრძლივობის თანაზომად დროით მონაკვეთებში. განასხვავებენ დიდი დენის ძალის, მაღალი ძაბვის, ვიდეო- და რადიოიმპულსებს. მაღალი ძაბვის ელექტრულ Ი-ებს იყენებენ მაღალი ძაბვის ტექნიკაში ელექტრული წრედებისა და მოწყობილობების გამოსაცდელად. ფორმის მიხედვით არის სწორკუთხა, სამკუთხა, ექსპონენციალური, ხერხისებრი, ზარისებრი, ტრაპეციისებრი და სხვ. (ნახ. 1, ა—დ). ვიდეოიმპულსის ფორმასა და ოდენობით სიდიდეებს განსაზღვრავს მისი მთავარი პარამეტრები (ნახ. 2): ამპლიტუდა A, Ი-ის ხანგრძლივობა $\tau_и$ (*წმ*-ის მეათედიდან *ნწმ*-ის მეათედამდე), ფრონტის ხანგრძლივობა $\tau_ф$, Ი-ის წვეროს ცერობი ΔA, რ-საც ამპლიტუდის მიმართ პროცენტობით გამოსახავენ. ვიდეოიმპულსთა პერიოდული თანამიმდევრობის დამახასიათებელია გამეორების სიხშირე ($f = 1/T$) და სიმეჩხრე (Ი-ის გამეორების T-პერიოდის შეფარდება მის ხანგრძლივობასთან). ვიდეოიმპულსებს იყენებენ ტელევიზიაში, გამოთვლითს ტექნიკაში, რადიოლოკაციაში, ექსპერ. ფიზიკაში და სხვ.



ელექტრული იმპულსი. ნახ. 2. ვიდეოიმპულსი: A — ამპლიტუდა; $\tau_ф$ — იპულსის ფრონტი; а—წვეროს; $\tau_д$ — იმპულსის დაცემა; $\tau_и$ — იმპულსის ხანგრძლივობა. в—კუდი; ΔA—წვეროს ცერობი

რადიოიმპულსები მაღალი ან ზემაღალი სიხშირის დენისა თუ ძაბვის წყვეტილი ელექტრული რხევებია (ნახ. 1, ე), რ-თა ამპლიტუდა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია მამოდულირებელი რხევების პარამეტრებზე. რადიოიმპულსების ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია აგრეთვე დადამტანი სიხშირე. რადიოიმპულსებს იყენებენ იმპულსური რადიოკავშირისათვის, რადიოლოკაციაში და სხვ.

ქ. ხომასურიძე.

ІМПУЛЬСУРІ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ფსიქიკური აშლილობა, რ-საც ახასიათებს უეცარი, უნებლიე, უაზრო და დაუძლეველი ქცევები და მისწრაფებები. აღინიშნება ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების (*შიზოფრენია, ეპილეფსია* და სხვ.) დროს. Ი. მ. შეიძლება გამოვლინდეს ქაოსურ ქცევაში (საგნების განადგურება, გაფუჭება), უაზრო ან აგრესიულ აქტში (ყვირილი, ტირილი, ლანძღვა-გინება, ფიზ. ტრავმის მიყენება, თვითმკვლელობა) და სხვ. Ი. მ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე უაზრო ხეტიალის, ლოთობის, ცეცხლის წაკიდების, უანგარო ქურდობის და ა. შ. დაუძლეველ სურვილებს.

ІМПУЛЬСУРІ ᲜᲐᲗᲘᲠᲐ, მაღალი ინტენსიურობის იმპულსური სინათლის წყარო, რ-შიც გამოყენებულია პლაზმის ნათება, წარმოქმნილი ინერტულ აირში კონდენსირებული ნაპერწკლური განმუხტვით ან ჟანგბადში ლითონური კილიტას დაწვით. უწყვეტი წვის *აირგანმუხტვის სინათლის წყაროებისაგან* განსხვავებით, Ი. ნ-ში დენი დიდი სიმკვრივისაა, პლაზმის ტემპერა კი — მაღალი (30000 K-ს აღწევს).

Ი. ნ-ის სამრეწვ. გამოშვება სსრკ-ში და საზღვარგარეთაც XX ს. 40-იანი წლების დასასრულს დაიწყეს. Ი. ნ-ს იყენებენ ფოტოგადაღებისას, ოპტ. ლოკაციაში, შუქსიგნალიზაციისათვის, ავტომ. და ტელემექან. მოწყობილობებში, ფოტოქიმიაში, პოლიგრაფიაში და სხვ.

ІМПУЛЬСУРІ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, რადიოკავშირის სახეობა, რ-იც მეტრული, დეციმეტრული და სანტიმეტრული ტალღების დიაპაზონში ხანმოკლე რადიოიმპულსების მეშვეობით უწყვეტ ინფორმაციას გადასცემს. ინფორმაციის გადაცემის პირველწყაროა სწორკუთხა იმპულსთა პერიოდული თანამიმდევრობა. იმპულსთა პარამეტრების (ამპლიტუდა, პერიოდი, ხანგრძლივობა) ცვლილების შესაბამისად მიიღება იმპულსური მოდულაციის (იხ. *მოდულაცია* რხევებისა) შემდეგი ძირითადი სახეობანი: ამპლიტუდურ-იმპულსური მოდულაცია, იმპულსური მოდულაცია პერიოდის ან ხანგრძლივობის მიხედვით და ა. შ.; ინფორმაციის გადაცემა და მიღება უფრო მარტივია მაშინ, როცა იმპულსური მოდულაცია ამპლიტუდურია. ამ შემთხვევაში პერიოდული სწორკუთხა იმპულსების ამპლიტუდა იცვლება გადასაცემი სიგნალის (ინფორმაციის) მეყსეული მნიშვნელობის პროპორციულად; მიღებული მოდულირებული სწორკუთხა ვიდეოიმპულსები გადაეცემა მაღალი სიხშირის გენერატორს, რ-იც გამოიმუშავებს ხანმოკლე რადიოიმპულსებს. გადასაცემი ანტენის მეშვეობით ეს იმპულსები რადიოტალღებად გამოსხივდება სივრცეში. მოდულირებული და დეტექტირებული (იხ. *დეტექტირება*) სიგნალი შეიცავს შემდგენს, რ-იც გადაცემული ინფორმაციის პროპორციულია. შემდგენის გამოყოფა შესაძლებელია დაბალი სიხშირის ფილტრით. პრაქტიკულად დადგენილია, რომ ინფორმაციის გადაცემა დამაკმაყოფილებელია, თუ გადასაცემი სიგნალის ერთ პერიოდზე (T) 2—3 იმპულსი მოდის. იმპულსებს შორის ხანგრძლივი შუალედები, რაც მათი დიდი სიმეჩხრითაა გამოწვეული, მრავალარხიანი რადიოკავშირის შესაძლებლობას იძლევა (ეს მისი უპირატესობაა). Ი. რ-ის სისტემას მხოლოდ მრავალარხიანი რადიოკავშირისათვის იყენებენ. ამას განაპირობებს მისი მიმღები და გადამცემი მოწყობილობების სირთულე, გადასაცემი სიგნალის სპექტრის დიდი მნიშვნელობა და სხვა.

Ი. რ-ის ზოგიერთ სისტემაში სხვა სახის მოდულაციასაც იყენებენ, მაგ., ცნობილია ფაზურ-იმპულსური მოდულაცია. ვინაიდან ასეთი მოდულაციის დროს ამპლიტუდა არ იცვლება, გადაცემის დროს სიგნალში შეჭრილი რაიმე ხმაური შეიძლება შევამციროთ შემზღუდველის მეშვეობით. ამ სახეობის მოდულაციის დროს იმპულსთა ხანგრძლივობა მუდმივია. ამიტომ მიმღების გატარების ზოლის სიგანის ოპტიმალური მნიშვნელობის შერჩევა წინასწარ შეიძლება. უფრო რთული სახეობის მოდულაცია (მაგ., კოდურ-იმპულსური, დელტა მოდულაცია) საშუალებას იძლევა მეტად შემცირდეს ხელშემშლელი ხმაური.

ქ. ხომასურიძე.

ІМПУЛЬСУРІ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ მართვისა ტექნიკაში, ავტომატური მართვის სისტემა, რ-შიც მართვა მიმდინარეობს დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოქმნილი ხანმოკლე იმპულსური სიგნალებით; შედგება იმპულსური ელემენტისაგან (რ-იც უწყვეტად ცვლად სიდიდეს მოდულირებული იმპულსების თანამიმდევრობად გარდაქმნის) და უწყვეტი ნაწილისაგან (რ-ზე-



ნახ. 1. სამი მართკუთხა იმპულსისაგან შედგენილი იმპულსური სიგნალი.



ნახ. 2. რთული ფორმის ელექტრული რხევები: ა—პიკური; ბ—ხერხისებრი.

და ეს იმპულსები მოქმედებს). იმპულსური მოდულაციის (იხ. *მოდულაცია* რხევებისა) სახეობათა შესაბამისად განასხვავებენ ამპლიტუდურ, ფაზურ, სიხშირულ და განივ ი. ს-ებს.

იმპულსური სიგნალების გამოყენება ამაღლებს სისტემის მართვისა და შეტყობინების გადაცემის ხარისხს, აუმჯობესებს მათი კოდირების პირობებს. ი. ს-ის ანალიზისათვის იყენებენ z-გარდაქმნის მეთოდს („ლაპლასის დისკრეტული გარდაქმნა"). *ა. ლოსაბერიძე.*

იმპულსური ტექნიკა, ტექნიკის დარგი, რ-იც აერთიანებს ელექტრული იმპულსების (იხ. *იმპულსი* ელექტრული) წარმოქმნის, ფორმირების, გაძლიერების, გაზომვისა და სხვა მეთოდებსა და ტექ. საშუალებებს. ი. ტ. იკვლევს და აანალიზებს ელექტრულ წრედებზე, ობიექტებსა და მოწყობილობებზე ელექტრული იმპულსების ზემოქმედებით წარმოქმნილ პროცესებს. ელექტრულ იმპულსებს იყენებენ მეცნიერებისა და ტექ. სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით — ელექტრონიკაში. იმპულსური რეჟიმით მუშაობს მრავალი ელექტრული მოწყობილობა. ელექტრონული მოწყობილობის მუშაობის იმპულსური რეჟიმი წყვეტილია, რაც განპირობებულია იმპულსთა წყვეტილი სტრუქტურით. ელექტრონიკაში იყენებენ როგორც იმპულსთა პერიოდულ თანამიმდევრობას (იმპულსთა სერიას), ისე ცალკეულ იმპულსებს (რადიოიმპულსსა და ვიდეოიმპულსს). იმპულსების დანიშნულებაა ინფორმაციის გადატანა ან ელექტრონული მოწყობილობის მართვის რომელიმე ფუნქციის შესრულება. იმპულსური სიგნალები ერთმანეთისაგან განსხვავდება ამპლიტუდით, პერიოდით, გამეორების სიხშირით და სერიებში ურთიერთგანლაგებით (ნახ. 1, 2). იმპულსურ სიგნალთა სტრუქტურას განსაზღვრავს იმპულსთა ფორმა და მოდულაციის სახე (იხ. *მოდულაცია* რხევებისა). თუ მოწყობილობა იმპულსური რეჟიმით მუშაობს, დროის მცირე მონაკვეთში შესაძლებელია ენერგიის დიდი კონცენტრაცია. მაგ., მძლავრი იმპულსური მოდულატორის ენერგოტევად ელემენტში იმპულსებს შორის შედარებით დიდ ინტერვალში ენერგია მდგრად გროვდება, მისი რეალიზაცია კი ხდება სწრაფად — იმპულსის მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამის დროში, რ-იც გაცილებით მცირეა ენერგიის დაგროვების პერიოდზე. დროის ამ მცირე მონაკვეთში დაგროვილი ენერგია დამტვირთავ ელემენტში გამოიყოფა; შედეგად მიიღება იმპულსები, რ-თა სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატება კვების წყაროს ნომინალურ სიმძლავრეს. ეს ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა იმპულსური რეჟიმით მომუშავე სისტემისა. ელექტრულ იმპულსთა ამპლიტუდის მკვეთრი ცვლილების გამო შესაძლებელია იმპულსის მოქმედების დროის ზუსტი ფიქსაცია და ელექტრონული სქემის ორი შესაძლებელი მდგომარეობის — „დენი არის"; „დენი არ არის" („კი", „არა") ერთმანეთისაგან გამოყოფა. იმპულსურ ელექტრონულ მოწყობილობას, რ-იც უკონტაქტო ელექტრონულ რელეს ფუნქციას ასრულებს, ელექტრონული წრედების გადართვა შეუძლია ძალიან სწრაფად (10^{-6} *წმ*-ში, ზოგჯერ 10^{-9} *წმ*-შიც).

ტექნიკის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა ხანგრძლივობის იმპულსებს იყენებენ. მაგ., ავტომატიკაში გამოყენებულ იმპულსთა ხანგრძლივობაა 0,01-იდან 1 *წმ*-მდე; იმპულსურ რადიოკავშირში — 10^{-6} *წმ*, სწრაფი ნაწილაკების ფიზიკაში —10^{-9} *წმ*, ტელეგრაფიაში—10^{-3} *წმ*, ცგმ-ში —10^{-6}—10^{-9} *წმ*. ტექნიკის ერთსა და იმავე დარგშიც კი სხვადასხვა ხანგრძლივობის იმპულსებს იყენებენ. მაგ., რადიოლოკაციაში იმპულსთა ხანგრძლივობა მერყეობს 10^{-3} *წმ*-იდან 10^{-9} *წმ*-მდე, გამეორების სიხშირე—ერთეული *ჰც*-იდან 10^4 *ჰც*-მდე. ი. ტ-ში იმპულსის ხანგრძლივობის შემცირებისა და გამეორების სიხშირის გაზრდის ტენდენციაა, რაც მიზნად ისახავს ელექტრონული მოწყობილობის ეფექტურობისა და გარჩევის უნარის ამაღლებას, აგრეთვე მის სწრაფმოქმედებას.

თუ ენერგიის დამგროვებელ ელექტრულ წრედზე დენის ან ძაბვის იმპულსები მოქმედებს, წარმოიქმნება გარდამავალი პროცესები, რ-თა როლი ძალიან დიდია ი. ტ-ში. მაგ., მათთან დაკავშირებულ მოვლენებს ემყარება ზოგიერთი იმპულსური მოწყობილობის მუშაობის პრინციპი. ზოგჯერ კი ეს პროცესები უარყოფითად მოქმედებს დანადგარის მუშაობაზე — ართულებს მის სქემასა და კონსტრუქციას. ამის გამო ი. ტ-ში გარდამავალი პროცესების ანალიზს დიდი ყურადღება ექცევა.

სხვადასხვა ფორმის იმპულსთა მისაღებად, მათი ფუნქციური გარდაქმნის, აგრეთვე იმპულსის რომელიმე პარამეტრის მიხედვით იმპულსთა სელექციისათვის და მათზე გარკვეული ლოგიკური ოპერაციების ჩასატარებლად გამოიყენება ტიპური იმპულსური ლოგიკური სქემები და მოწყობილობანი.

მუშაობის იმპულსურ მეთოდებს ფართოდ იყენებენ *ტელევიზიაში,* სადაც გამოსახულებისა და სინქრონიზაციის სიგნალები იმპულსურია. რადიოიმპულსების მეშვეობით შესაძლებელი გახდა მანძილის ზუსტად გაზომვა, რამაც იმპულსური რადიოლოკაციისა და რადიონავიგაციის განვითარებას შეუწყო ხელი. შეტყობინების იმპულსური კოდირება, რ-იც სხვადასხვა სახის იმპულსურ მოდულაციას ემყარება, საშუალებას იძლევა დავამყაროთ საკმაოდ დაბრკოლებამდგრადი რადიოკავშირი, აგრეთვე მრავალარხიანი რადიოკავშირი. პერსპექტიულია იმპულსური რეჟიმის გამოყენება ხელოვნურ თანამგზავრებში, კოსმ. ხომალდებში.

იმპულსური მეთოდები ფართოდ გავრცელდა საინფორმაციო-საზომ ტექნიკაში, რ-საც იყენებენ კოსმ. ელექტრონულ აპარატურაში და სწრაფი ნაწილაკების ფიზიკაში კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას. თანამედროვე ციფრული გამომთვლელი მანქანებისა და ციფრული ავტომატების მუშაობის პრინციპი ემყარება ი. ტ-ის მეთოდებსა და საშუალებებს. იმპულსურ მეთოდებს განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ რადიოსაზომ მოწყობილობებში (სიხშირესაზომებში, ოსცილოგრაფებში, სპექტრის ანალიზატორებში და ა. შ.).

ლიტ.: Гольденберг Л. М., Теория и расчет импульсных устройств на полупроводниковых приборах, М., 1969; Ицхоки Я. С., Овчинников Н. И., Импульсные цифровые устройства, М., [1972]; Справочник по импульсной технике, под ред. В. Н. Яковлева, К., 1970. *ქ. ხომასურიძე.*

იმპულსური ტექნიკა მაღალი ძაბვისა, ელექტროტექნიკის დარგი, რ-ის საგანია მაღალი ძაბვისა და ძლიერი დენის იმპულსების მიღება, გაზომვა და გამოყენება. იმპულსთა ხანგრძლივობაა 10^{-1} *წმ*-იდან 10^{-10} *წმ*-მდე. მაღალი ძაბვის იმპულსებს, რ-თა ამპლიტუდა 10^2 *ვ*-იდან 10^7 *ვ*-მდეა, იყენებენ ელექტროტექ. აპარატურის გამოცდის დროს, ელექტრულ ქსელში შინაგანი და ატმ. გადამეტძაბვის იმიტაციისათვის, მეხდამცავ მოწყობილობათა მოდელირებისათვის და სხვ., აგრეთვე ექსპერ. ფიზიკაში ელექტრული გარღვევის პროცესთა გამოკვლევისას, იმპულსურ-ელექტრონული და იონური კონების წარმოსაქმნელად, კვების წყაროდ ელექტრონულ-ოპტ. გარდამქმნელებში, დამუხტულ ნაწილაკთა მაჩქარებლებში და სხვ.; მაღალი ძაბვის იმპულსები, რ-თა ამპლიტუდა 10^7 *ვ*-მდეა, მიიღება იმპულსური ძაბვის გენერატორიდან, რ-იც შეიცავს კონდენსატორთა (*C*) ჯგუფს (ნახ. 1). კონდენსატორები მუდმივი დენის წყაროდან დამუხტვის პროცესში წინაღობის (*R*) მეშვეობით ჩართული არიან პარალელურად. როცა კონდენსატორებში ძაბვა საჭირო სიდიდეს მიაღწევს, ისინი სანაპერწკლო შუალედში (სშ) მიმდევრობით ჩაირთვება (ა. კადიევ-მარქსის სქემა). ამის შედეგად გენერატორის გამოსავალზე ძაბვა მკვეთრად იზრდება. იმპულსთა ფრონტსა და ხანგრძლივობას არეგულირებენ მადემფირებელი, განმმუხტავი და ფრონტის წინაღობათა ($R_დ$, $R_გ$, $R_ფ$), აგრეთვე ფრონტისა ($C_ფ$) და დატვირთვის ტევადობათა მეშვეობით.

იმ იმპულსთა მისაღებად, რ-თა ფრონტის ხანგრძლივობა $\sim 10^{-9}$ *წმ*-ია, სრული ხანგრძლივობა — 10^{-8}—10^{-7} *წმ*, ამპლიტუდა კი — 10^4—10^6 *ვ*, იყენებენ ნანოწამის იმპულსთა გენერატორებს. ასეთ გენერატორებში კონდენსატორების ნაცვლად თანაღერძული კაბელების მონაკვეთებია გამოყენებული (ი. შეყურსული ტევადობა შეცვლილია გაწაწილებული ტევადობით), ამასთან, სქემაში ჩართული არ არის $R_დ$ და $R_ფ$ წინაღობანი. ნახ. 2-ზე წარმოდგენილ სქემაში თანაღერძული კაბელები საკაბელო ხაზი დასაწყისში პარალელურადაა შეერთებული, ხაზის ბოლოს კი — მიმდევრობით. *ა წმ*-ის ხანგრძლივობის იმპულსების მიღება შეიძლება აგრეთვე სამპოლუსიანი ზოლური ხაზის მონაკვეთებით (ბლუმლეინის სქემა, ნახ. 3), სპირალურად დახვეული ზოლური ხაზით (სპირალური გენერატორი, ნახ. 4) და სხვ. ამ გენერატორებში სშ-ის გაღვივება და ხაზის ბოლოს ძაბვის ტალღოვანი არეკვლა იწვევს ძაბვის გაორკეცებას (ნახ. 3) ან გამრავლებას (ნახ. 4).

10^4 —10^5*ვ* ამპლიტუდის ძაბვის იმპულსები, თუ მათ ფორმას განსაკუთრებულ მოთხოვნას არ უყენებენ, შეიძლება მიეღოთ იმპულსური ტრანსფორმატორებით (რუმკორფის კოჭა, ტესლა ტრანსფორმატორი და სხვ.). ძაბვის იმპულსთა ამპლიტუდას ზომავენ სპეც. ტევადობითი და ძაბვის ომური ან კონდენსირებული გამყოფებით.

ძლიერი დენის იმპულსებს იყენებენ მაგნ.-იმპულსური ველის შესაქმნელად (თერმობირთვულ დანადგარებში, დამუხტული ნაწილაკების მაჩქარებლებში, ლეგირებულ თონთა მაგნ.-იმპულსური დამუშავებისას, იმპულსურ ელექტროამძრავებში და ა. შ.); აირებისა და გამტარების სწრაფ გახურებისათვის (აეროდინ. და თერმობირთვული გამოკვლევის, გამტართა ელექტრული აფეთქების, იმპულსური შედუღების დროს და სხვ.); ელექტროტექ. დანადგარების (მოწყობილობების), საკომუტაციო აპარატურის გამოსაცდელად და ა. შ.

ლიტ.: Месяц Г. А., Генерирование мощных наносекундных импульсов, М., 1974; Месяц Г. А., Насибов А. С., Кремнев В. В., Формирование наносекундных импульсов высокого напряжения, М., 1970; Техника высоких напряжений, под ред. Л. И. Сиротинского, ч. 1, М., 1951. *ზ. ბაბუნაშვილი.*

იმპულსური ტრანსფორმატორი, ფერომაგნიტურგულარიანი ტრანსფორმატორი, რ-საც იყენებენ ელექტრული დენის ან ძაბვის იმპულსების გარდასაქმნელად რადიოლოკაციაში, გამოთვლითს ტექნიკაში, იმპულსურ რადიოკავშირსა და ავტომატიკაში ი. ტ-ის დანიშნულებაა იმპულსების წყაროს შეთანხმება დატვირთვასთან, იმპულსების პოლარობის შეცვლა, ელექტრული წრედების დაყოფა ცალადი და ბუდმივი დენის მიხედვით, სიგნალთა შეკრება, იმპულსთა ნათურების ანთება და სხვ. ი. ტ. სხვადასხვა სიმძლავრისაა (რამდენიმე *მეგავტ*-იდან რამდენიმე ათეულ *მეგავტ*-მდე). მათი მეშვეობით არსებითი დანაკარგების გარეშე გადაიცემა 1,1-იდან 0,3 *მ კწმ*-მდე ხანგრძლივობის იმპულსები.

იმრა ლ-კაისი (იმრუ ლ-კაისი, იმრუ'ულ-კაისი, ამრილკაისი, უმრუ ლ-კაისი) ჰუნდუჯ იბნ ჰუჯრი (დაახლ. 500, ნაჯ-

ა, — 540/50, ანკირა, ახლანდ. ანკარა), ლამამდელი არაბი პოეტი. ქინდის უკანსკნელი მეფის ჰუჯრის ვაჟი. უფლისწულისთვის შეუფერებელი საქციელისა და ექცევების თხზვისათვის სახლიდან განდევნეს. ტომიდან ტომში დაეხეტებოდა და ადირობასა და ლხინში ატარებდა დროს. ის გამო შეარქვეს „ალ-მალიქ ალ-დალილ" („მოხეტიალე მეფე"). აჯანყებულ ბისტომთა მიერ მამამისის მოკვლის შემეგ იძულებული გახდა სისხლის ასაღებად და ძალაუფლების დასაბრუნებლად ბრძოლა. მოკავშირეებისაგან მიტოვებული თავშესაფარსა და დახმარებას ეძიებდა ლ-სამავალის კარზე, თაიმაში, და იმპ. ესტინიანესთან, კონსტანტინოპოლში. გამოცვების თანახმად, გარდაიცვალა იუსტიანესეს ნაბოძები მოწამლული მოსასხამისგან დაწყლულებული (აქედან ზედსახელი „ზუ ლ-ჯურუჰი" — „წყლულებიანი"), ცვა ცნობით — ყვავილისაგან. ზოგიერთი ობით, ი. ლ-ჰ ითვლება კასიდის კლასიკური ფორმის შემქმნელად. მას მიაწერენ არაბ. პოეზიაში ტრად. თემების (სარფოს კარვის ნაშთებთან შეჩერება, ლის. ცხენის, ნადირობის აღწერა) შემოტანს. განსაკუთრებით პოპულარულია *მუალაკათა* რიცხვში შესული მისი კასიდა. ოგიერთი ცნობის მიხედვით, ი. ლ-ჰ. ბისტიანობას აღიარებდა. ამით ხსნიან ესიმისტურ რეფლექსიას, რ-ითაც გამსჭვალულია ზოგი მისი კასიდა. გამოირჩევა ახვეწილი პოეტური ფორმებითა და ენით.

თხზ.: შარპ დივან. ალ-კაპირა (კაირო), 930.

ლიტ.: ნათაძე ნ., რუსთველური მეჯლრობა და რენესანსი, თბ., 1966; Крымский А. Е., Арабская литература в перках и образцах, М., 1911; Arbery . J., The seven odes, L., 1957; Bateon M. C., Structural continuity in poey, P.—The Hagre, 1970.

ნ. ფურცელაძე.

ᲘᲛᲠᲝᲖᲘ (Imroz), კუნძული ეგეოსის ღვის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, გელიბოლუს �-ის დას. ნაპირთან. ეკუთვნის თურქეთს. ართ. 220 *კმ*² (სხვა მონაცემით 289 *კმ*²), ამაღლე 672 *მ*-მდე. აგებულია კრისტ. ანებით. ხარობს მეჩხერი ბუჩქოვანი მცენარეულობა. აშენებენ ზეთისხილს, მეფეზეობა. ᲘᲛᲠᲝᲖᲘᲡ ნაპირზეა ქ. ᲘᲛᲠᲝᲖᲘ

ᲘᲛᲣᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ (<ლათ. immunis — თავისუფალი, ვალმოხდილი), ადამიანსა და ცხოველებში ხელოვნური *იმუნიტეტის* შექმნის მეთოდი. განარჩევენ აქტიურ და პასიურ Ი-ს. აქტიური Ი. გულისხმობს *ანტიგენის* ორგანიზმში შეყვანას, ქტ. Ი-ის ყველაზე გავრცელებული ფორმა ვაქცინაცია, ე. ი. ვაქცინების — დასუსტებული ან მკვდარი ბაქტერიების, ვირუსებისა ან მათი ცხოველმოქმედების პროდუქტებისაგან (ტოქსინები) დამზადებული პრეპარატების გამოყენება ინფექციური დაავადების სპეციფ. პროფილაქტიკისათვის. ეფექტურობის ასამაღლებლად ვაქცინას უმატებენ არასპეციფ. გამღიზიანებლებს ანუ ადიუვანტებს (კალციუმის ფოსფატი, შაბი და სხვ.). ასეთი ვაქცინის ორგანიზმში შეყვანის ადგილიდან ანტიგენი ანდათანობით განიწოვება, რაც იწვევს ანტისხეულების წარმოქმნის არასპეციფ. სტიმულაციას. აქტიური Ი-ის შედეგად ვიარდება ხანგრძლივი (1 წელი და მეტი) იმუნიტეტი.

პასიური Ი-ის დროს ორგანიზმში ეჰყავთ *იმუნური შრატები* ან ცხოველისა ა ადამიანის შრატისაგან მიღებული იმუური ფრაქციები — გამა-გლობულინები. ამ ზით შეძენილი Ი. ხანმოკლეა და სამ კვიაზე მეტს არ გასტანს. პასიურ Ი-ს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც ინფექციის წყაროსთან კონტაქტის გამო არსებობს ავადების (წითელა, დიფთერია, ტეტანუსი, ჯილეხი და სხვ.) საშიშროება ან ავადება უკვე დაწყებულია და საჭიროა ით მკურნალობა (სეროთერაპია), ზოგერ მიმართავენ კომბინირებულ — პასიურ და აქტიურ Ი-ს; დაავადების დასაძლევად ჯერ შეჰყავთ იმუნური შრატი, შემდეგ კი ვაქცინა — მყარი იმუნიტეტის გამოსამუშავებლად. პროფილაქტიკისათვის უმჯობესია ადამიანის სისხლისაგან მიღებული (ჰომოლოგიური) შრატის გამოყენება, რადგან იგი არ იწვევს ორგანიზმის ალერგიულ რეაქციას და ეფექტურია ინფექციის (წითელა, ვირუსული ჰეპატიტი და სხვ.) შემთხვევაში.

ვეტ. პრაქტიკაში Ი-ს ფართოდ იყენებენ თურქულის, შავი ჭირის, ბრუცელოზის, ჯილეხის, ემფიზემატოზური კარბუნკულის და სხვ. დაავადებათა წინააღმდეგ.

ი. გიორგაძე.


R
R
R
R
R
R
C
C
C
C
C
C
R
R
R
R
C
C
C
C
C
C

ზოგჯერ მცენარეს მცირე რაოდენობით აქვს პარაზიტისათვის საჭირო ნივთიერება, ანდა ისეთ ნივთიერებებს გამოიმუშავებს, რაც საზიანოა პარაზიტისათვის და სხვ.

დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობის გამომუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჯიშთშორის, სახეობათშორის და გვართშორის ჰიბრიდიზაციას, რასაც მცენარეთა სელექციაში მიმართავენ. ფართოდ იყენებენ აგრეთვე მცენარეთა კვებას ქიმ. ნივთიერებებით. ეს მეთოდი განსაკუთრებით დადებით შედეგს იძლევა ტრაქეომიკოზული დაავადებების დროს. მაგ., საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ თუ კეხურა ვაშლის ხეს წელიწადში ერთხელ ყვავილობის დროს საკვებად მივცემთ ბუნებრივ ნაერთთა ლითონების ხელატს, გაიზრდება მცენარის ამტანობა ცეფალოსპორიოზული ხმობისადმი, დაავადებული მცენარე არ გახმება და ნორმალურად დაისხამს.

ლიტ.: ყანჩაველი ლ., სასოფლო-სამეურნეო კულტურების ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა, თბ., 1960; წაქაძე თ., კურკოვანი კულტურების ნაადრევი ხმობა, თბ., 1967; Горленко М. В., Краткий курс иммунитета растений к инфекционным болезням, 2 изд., М., 1962; Тарр С., Основы патологии растений, пер. с англ., М., 1975. *თ. წაქაძე.*

იმუნიტეტი (საერთაშ. სამართ.), განსაკუთრებული, პრივილეგიური მდგომარეობა, რ-იც სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს უცხო სახელმწიფოს და მის ქონებას (სახელმწიფოს ი.), უცხო დიპლ. წარმომადგენლობასა და დიპლომატებს (დიპლომატიური ი.), უცხო საკონსულო წარმომადგენლობასა და მის თანამშრომლებს (საკონსულო ი.).

სახელმწიფოს ი. გამომდინარეობს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი სახელმწიფოს სასამართლო იურისდიქცია არ ვრცელდება მეორე სახელმწიფოზე, მის ორგანოებსა და ქონებაზე: სასამართლო მოპასუხედ ვერ მოიწვევს უცხო სახელმწიფოს ან მისი ორგანოს წარმომადგენელს, თუ ამ სახელმწიფომ საგანგებოდ არ განაცხადა თანხმობა და თანხმობის შემთხვევაშიც კი ვერ გამოიყენებს იძულების ზომებს (ყადაღა, გადახდევინება) მისი ქონების მიმართ. სსრკ-ში უცხო სახელმწიფოების ი. უზრუნველყოფილია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლებით (მ. 61). საზღვარგარეთ ამ ი-ით სარგებლობს სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენლობა, აგრეთვე საბჭ. საზღვაო სავაჭრო გემები (სსრკ სავაჭრო ზღვაოსნობის კოდ., მ. 20).

დიპლომატიური ი. ისტორიულად ყალიბდებოდა საერთაშ. ჩვეულებებში, კოდიფიცირებულია 1961 ვენის კონვენციაში დიპლ. ურთიერთობათა შესახებ (მონაწილეობს სსრკ), რ-ის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს დიპლ. წარმომადგენლობა (შენობა, არქივი და სხვ.) ხელშეუხებელია (მის ტერიტორიაზე ადგილ. ხელისუფალიც ვერ შევა წარმომადგენლობის მეთაურის უნებართვოდ). დიპლ. წარმომადგენლობას შეუძლია უკონტროლო კავშირი ჰქონდეს თავის მთავრობასთან დიპლ. ფოსტით და დაშიფრული მიმოწერით; გამოიყენოს თავისი სახელმწ. დროშა და გერბი; იგი და მისი ქონება თავისუფალია გადასახადებისა და ბაჟებისაგან; სახელმწიფოს ევალება საგანგებოდ იცავდეს უცხო სახელმწ. წარმომადგენლობას ძალადობისა და ზიანისაგან, უფლება არა აქვს გაჩხრიკოს იგი, რეკვიზიცია უყოს ან ყადაღა დაადოს მის ქონებას (მაგრამ დიპლ. წარმომადგენლობა არ უნდა იქნეს გამოყენებული დეენილი პირის თავშესაფრად); წარმომადგენლობის მეთაური და დიპლ. თანამშრომლები (აგრეთვე მათი ბინები) ხელშეუხებელია: არ შეიძლება მათი დაკავება-დაპატიმრება, პასუხისგებაში მიცემა, სასამართლოში მოწმედ ან მოპასუხედ გამოძახება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა უცხო დიპლომატი, როგორც კერძო პირი, კომერც. საქმიანობას ეწევა, ფლობს უძრავ ქონებას, გამოდის მემკვიდრედ, მეურვედ და სხვ.); ისინი არ იხდიან გადასახადსა და ბეგარას, ბაჟს პირადი მოხმარების საგნებზე (ფისკალური ი.). ყველა ეს ი. ვრცელდება დიპლომატის ოჯახის წევრებზეც; სახელმწიფოს ევალება საგანგებოდ ზრუნავდეს დიპლომატის პიროვნების, მისი ღირსებისა და პატივის დაცვაზე.

საკონსულო ი. დაწესებულია საერთაშ. ჩვეულებებით, ნაწილობრივ კოდიფიცირებულია ვენის კონვენციაში საკონსულო ურთიერთობათა შესახებ (1963), ხოლო ცალკეულ საკითხებს აწესრიგებენ სახელმწიფოები თავიანთი კანონმდებლობებითა და ურთიერთშეთანხმებებით. როგორც წესი, იგი განსხვავებულია დიპლ. ი-გან. ხელშეუხებლობა არ ვრცელდება საკონსულო წარმომადგენლის ბინაზე, დასაშვებია მისი დაკავება-დაპატიმრება მძიმე დანაშაულის გამო და სხვ. ფისკალური ი-ით იგი სარგებლობს *ნაცვალგების* საწყისზე. სსრკ-ში დიპლ. და საკონსულო ი-ებს განსაზღვრავს 1966 „დებულება სსრკ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობათა შესახებ“. *გ. ყვანია.*

იმუნიტეტი (ისტ.), იხ. *შეუვალობა.*

იმუნოგენეტიკა, კომპლექსური მეცნიერული დისციპლინა, რ-იც იყენებს იმუნოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის მეთოდებს და შეისწავლის *იმუნიტეტის* მემკვიდრეობითს ფაქტორს, ქსოვილოვანი ანტიგენების შიგასახეობრივი მრავალგვარობისა და დამემკვიდრების საკითხებს, მაკრო- და მიკროორგანიზმების ურთიერთობის გენეტიკურ და პოპულაციურ ასპექტებს, ქსოვილთა შეუთავსებლობას და სხვ. ი-ს საფუძველი ჩაუყარეს გერმ. მეცნიერებმა პ. ერლიხმა და ი. მორგენროტმა, რ-ებმაც XX ს. დამდეგს თხებში აღმოაჩინეს სისხლის ჯგუფები, ავსტრ. მეცნ. კ. ლანდშტაინერმა, რ-მაც დაადგინა ადამიანის *სისხლის ჯგუფები.* ტერმინი „ი.“ შემოიღო ამერ. მკვლევარმა მ. ირვინმა 1930.

ბაქტერიული და ვირუსული ინფექციებისადმი მცენარეთა და ცხოველთა ინდივიდ. და სახეობრივ მდგრადობას უზრუნველყოფს ორგანიზმის თავდაცვის საშუალებათა რთული მრავალსაფეხურიანი სისტემა. სავარაუდოა, რომ ხერხემლიანთა ევოლ. გარკვეულ ეტაპზე დამცველობითი შეგუების სახით წარმოიშვა ადაპტიური იმუნიტეტის სისტემა (ანტისხეულთა წარმოქმნა) — ინფექციასთან ორგანიზმის ბრძოლის ყველაზე მძლავრი იარაღი. ორგანიზმის მიერ ანტისხეულების გამომუშავების უნარი (ან უუნარობა) მემკვიდრეობითია. სისხლის შრატის მრავალი ცილის (ალბუმინები, ტრანსფერინები და სხვ.) სტრუქტურის მემკვიდრეობითი შიგასახეობრივი ვარიაციების კონტროლი, როგორც წესი, ალელური გენებით ხდება, ამასთან, პოპულაციაში ყოველი ალელის შეხვედრის სიხშირე მაღალია (20% და მეტი), რაც ბუნებრივი გადარჩევის გავლენაზე მიუთითებს. ი-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პოპულაციებში ახ. ალელთა გავრცელების განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა. ასეთ ფაქტორს შეიძლება წარმოადგენდეს პათოგენური მიკროორგანიზმისა და მაკროორგანიზმის ანტიგენთა აგებულების მსგავსება. როგორც ცნობილია, ცხოველური ორგანიზმები ნორმალური მდგომარეობის დროს არ გამოიმუშავებენ ანტისხეულებს საკუთარი ანტიგენისადმი, რის გამოც მსგავსება მიკრობული უჯრედის რომელიმე კომპონენტსა და მაკროორგანიზმის ამა თუ იმ მოლეკულას შორის იწვევს ცხოველისათვის არახელსაყრელ შედეგს, ვინაიდან იგი კარგავს მიკრობთა ამ სახეობის გამაუვნებელი ანტისხეულების სინთეზის უნარს. პოპულაციაში ახ. ალელის გავრცელებას შეიძლება მოყვეს შესაბამისი გენის მუტაცია, როდესაც მაკროორგანიზმის მოლეკულა იცვლება იმგვარად, რომ მიკრობის ფერმენტული სისტემა ვერ იყენებს მას სუბსტრატის სახით; დედამიწის იმ რ-ნებში, სადაც მალარიით დაავადებულთა პროცენტი მაღალია, არ ავადდებიან მუტანტური ჰემოგლობინის მქონე ადამიანები. დაავადებისადმი მემკვიდრული რეზისტენტობა, როგორც წესი, სპეციფიკურობით ხასიათდება, ვინაიდან სხვადასხვა შემთხვევაში აქ მოვლენას განსხვავებული ფიზიოლ. მექანიზმები უდევს საფუძვლად. მაგ., აფრიკული ზებუ, რ-იც თავისუფლად იტანს სიცხეს და ტუბერკულოზი არ ემართება, ადვილად ავადდება ტრიპანოსომოზით. ცალკეული ინდივიდების, რასების, ჯიშების შეუვალობა ამა თუ იმ დაავადებისადმი უძველესი დროიდან ითვლება სელექციის ძირითად წინაპირობად. ადამიანთა შორისაც დადასტურდა ბუნებრივი გადარჩევა დაავადებისადმი მდგრადობის მიხედვით. მაგ., როცა ამერიკის კონტინენტზე ევროპელები დასახლდნენ, გამოირკვა, რომ აბორიგენ ინდიელებს გაცილებით უფრო მძიმე ფორმის წითელა და ჩუტყვავილა ემართებოდათ, ვიდრე იმიგრანტებს, რ-თათვისაც ეს დაავადებები ჩვეული იყო და დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა. იმუნოლოგიური თვალსაზრისით მომწიფებულ ყველა ჯანმრთელ ინდივიდს შესწევს უნარი იმუნური პასუხი გამოიმუშაოს სხვა გენოტიპის მქონე ინდივიდის ქსოვილოვან ანტიგენებზე. მაშასადამე, ქსოვილთა შეუთავსებლობა უნივერს. ბიოლ. კანონზომიერებაა. მხოლოდ იდენტური ტყუპები და ერთი წმინდა ხაზის ცხოველები არ არიან გამოჯნული ქსოვილთა შეუთავსებლობის ბარიერით. ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის, სისხლის გადასხმის და ზურგის ტვინის უჯრედების გადანერგვის შემთხვევებში დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი დონორის შერჩევით გენეტ. განსხვავების მინიმუმამდე შემცირებას.

უჯრედის ანტიგენების მრავალფეროვნებისა და მემკვიდრეობის თავისებურებათა შესწავლა, მათი იდენტიფიკაცია (ტიპირება) ი-ის ის საკითხებია, რ-ებსაც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპლანტოლოგიის, ტრანსფიზიოლოგიის, იმუნოპემატოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიისათვის. იხ. აგრეთვე *იმუნოლოგია.*

ლიტ.: Медведев Н. Н., Линейные мыши, Л., 1964; Хатт Ф., Генетика животных, пер. с англ., М., 1969; Эфрусси Б. П., Иммуногенетика, М., 1971; Hildemann W. H., Immunogenetics, S. F., 1970. *თ. ჭანიშვილი.*

იმუნოდიაგნოსტიკა (*იმუნიტეტი* და *დიაგნოსტიკა*), პრაქტიკული *იმუნოლოგიის* დარგი, რ-ის ამოცანაა ინფექციური დაავადების გამოცნობა სეროლოგიური რეაქციებისა და *ალერგიული დიაგნოსტიკური სინჯის* საშუალებით. სეროლოგიურ რეაქციებს (აგლუტინაცია, პრეციპიტაცია, ბაქტერიოლიზი და სხვ.) იყენებენ აგრეთვე სისხლის ჯგუფის დასადგენად, ხოლო სასამართლო მედიცინაში არკვევენ ვის ეკუთვნის გამოსაკვლევი სისხლი — ადამიანს თუ ამა თუ იმ ცხოველს.

ვეტერინარიაში ი-ს იყენებენ ცხოველთა მრავალი ინფექციური დაავადების გამოსაცნობად, აგრეთვე დაავადებული და ბაქტერიამტარებელი ცხოველების გამოსავლენად.

იმუნოთერაპია (*იმუნიტეტი* და *თერაპია*), პრაქტიკული *იმუნოლოგიის* დარგი, რ-ის ამოცანაა ინფექციური დაავადების მკურნალობა იმუნოლოგიური პრეპარატებით (ვაქცინები, იმუნური შრატები, გამა-გლობულინები და სხვ.). შრატებსა და გამა-გლობულინებს იყენებენ ინფექციური დაავადებების მწვავე ფორმების (დიფთე-

რია, ტეტანუსი, ბოტულიზმი, ცერებროსპინალური მენინგიტი) დროს, ვაქცინები კი შეჰყავთ ინფექციური დაავადების ქრონ. და დუნედ მიმდინარე ფორმების (დიზენტერია, ბრუცელოზი, ტულარემია და სხვ.) სამკურნალოდ. O-ს იყენებენ ანტიბიოტიკებთან და ქიმიოთერაპიასთან ერთად.

ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ ე ბ ა შ ი ცხოველთა ინფექციური დაავადებების დროს ორგანიზმში შეჰყავთ სამკურნ. შრატები და ბაქტერიოფაგები.

იმუნოლოგია (*იმუნიტეტი* და *...ლოგია*), მეცნიერება ორგანიზმის დამცავი რეაქციების შესახებ; იკვლევს ორგანიზმის სტრუქტურული და ფუნქციური მთლიანობის, აგრეთვე ბიოლ. ინდივიდუალობის შენარჩუნების საკითხებს. O. XIX ს. II ნახევარში ჩამოყალიბდა და 2 ძირითადი (გამოყენებითი და თეორ.) მიმართულებით განვითარდა. მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს, რომ დასუსტებული ან მკვდარი მიკრობები ან ვირუსები ორგანიზმის შეუვალობას იწვევს ამა თუ იმ დაავადებისადმი, თანაც დაავადებულ ან დაავადებაგადატანილ ორგანიზმში სპეციფ. ანტისხეულები აღმოაჩინეს, შეიქმნა გამოყენებითი O-ის 4 ძირითადი მეთოდი: ვაქცინაცია, *სეროპროფილაქტიკა, სეროთერაპია* და *სეროდიაგნოსტიკა*. ამ მეთოდების დანერგვამ და ფართოდ გამოყენებამ უდიდესი როლი ითამაშა ზოგიერთი ინფექციური დაავადების შემცირებისა და ლიკვიდაციის საქმეში. გამოყენებითი O-ის პარალელურად ინტენსიურად შეისწავლიდნენ O-ის თეორ. პრობლემებსაც, მ. შ. ორგანიზმის მიერ დაავადების აუთვისებლობის არსს და მექანიზმებს, იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში არასპეციფ. ჰუმორალური და უჯრედოვანი (*ფაგოციტოზი*) ფაქტორების მონაწილეობას. კერძოდ, ჯანმრთელი ადამიანის სისხლში აღმოაჩინეს მიკრობების, ვირუსებისა და მათი შხამების გამანეიტრალებელი ან შემბოჭავი ნივთიერებანი (ლიზოციმი, პროპერდინი, ინტერფერონი, კომპლემენტი და სხვ.); დაადგინეს, რომ შეძენილი იმუნიტეტის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს ასრულებენ სპეციფ. იმუნური ანტისხეულები და ანტიგენებისადმი ქსოვილების მკვეთრად შეცვლილი (მომეტებული ან დაქვეითებული) რეაქცია და სხვ. უკვე ცნობილია, რომ ანტისხეულები წარმოადგენენ სისხლის შრატის სპეციფ. პროტეინებს, ცნობილია აგრეთვე ადამიანის იმუნოგლობულინების ხუთი კლასი, რ-ებიც ერთიმეორისაგან ქიმ. სტრუქტურით და ბიოლ. ფუნქციით განსხვავდებიან. მათ განეკუთვნება G, M, A, D, E იმუნოგლობულინები. გაშიფრულია იმუნოგლობულინის და ანტისხეულის ცილების საერთო შენების გეგმა; დადგენილია იმუნოგლობულინის შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი პოლიპეპტიდური ჯაჭვის პირველადი სტრუქტურა. დადგინდა, რომ იმუნოგენეზის პირველ ეტაპზე, რ-იც ძირითადად რეტიკულურ-ენდოთელიუმური სისტემის ორგანოებით ხორციელდება, წამყვანი როლი ლიმფოიდურ სისტემას ეკუთვნის. ამჟამად უკვე ცნობილია, რომ ორგანიზმის იმუნური რეაქცია 3 ტიპის უჯრედების (A-მაკროფაგები, T- და B-ლიმფოციტები) ურთიერთკოოპერირების შედეგია.

O. შეისწავლის ალერგიის მოვლენებსაც, ორგანიზმის მომეტებულ მგრძნობელობას ინფექციის აღმძვრელისა და მისი ცხოველმოქმედების პროდუქტების — ალერგენების (ტუბერკულინი, მალეინი, ბრუცელინი, ტულარინი და სხვ.) მიმართ.

მეცნ. მიღწევებმა განაპირობა O-ის პროფილიზაცია. განვითარდა O-ის ახ. დარგები, მაგ., ეპიდემიოლოგიური O., რ-იც შეისწავლის ეპიდემიოლოგიური პროცესის იმუნოლოგიურ კანონზომიერებებს. შეიქმნა აგრეთვე ა რ ა ი ნ ფ ე ქ ც ი უ რ ი O-ის მნიშვნელოვანი დარგები, მ. შ. კლინიკური O., ჰემატოლოგიური O., იმუნოქიმია, იმუნომორფოლოგია, იმუნოგენეტიკა, სიმსივნეების O. და ტრანსპლანტაციური O. ამ დარგების კვლევის მეთოდები და მიზანი ზოგჯერ დიამეტრულად განსხვავებულია: მაგ., ინფექციური O-ის მთავარი მიზანია სხვადასხვა ხერხის და მეთოდის გამოყენებით ორგანიზმის დამცავი ძალების გაძლიერება, ტრანსპლანტაციური O. კი, პირიქით, ებრძვის დამცავი ძალების დათრგუნვის შესაძლებლობას, რათა ქსოვილებისა და ორგანოების გადანერგვისას გადალახოს ქსოვილოვანი შეუთავსებლობის ბარიერი და არ „დაუშვას" გადანერგილი ორგანოს ან ქსოვილის „მოკვეთა", რაც ლიმფოიდური სისტემის უცხო ცილის მიმართ აქტ. იმუნოლოგიური რეაქციის შედეგია. ამიტომ, თანამედროვე O-ის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სპეციფ. იმუნოლოგიური ტოლერანტობის ხელოვნური მეთოდების შემუშავება. კლინიკური O. შეისწავლის სხვადასხვა არაინფექციური დაავადების დროს ორგანიზმში ქსოვილოვან და ჰუმორალურ იმუნურ ცვლილებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების პროგნოზირებისა და მკურნალობის სწორად წარმართვისათვის.

ლიტ.: Б о й д У. К., Основы иммунологии, пер. с англ., М., 1969; З д р о д о в с к и й П. Ф., Проблемы инфекции, иммунитета и аллергии, 3 изд., М., 1969.

ი. გიორგაძე.

იმუნოპათოლოგია (*იმუნიტეტი* და *პათოლოგია*), იმუნოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ქსოვილებსა და უჯრედებზე იმუნოლოგიური რეაქციების დამაზიანებელ მოქმედებას. იმუნური პროცესი წარმოადგენს ინფექციისაგან ორგანიზმის დამცავ მექანიზმს და ვითარდება ორგანიზმში პათოგენური მიკრობის, ვირუსისა და მრავალუჯრედიანი პარაზიტის ანტიგენების მოხვედრის შედეგად. იმუნურ რეაქციას (*ანაფილაქსია, შრატისმიერი დაავადება*) იწვევს უცხო ცილა, ზოგჯერ მცენარის მტვერი, ცხოველის ბეწვი ან სხვა უვნებელი ნივთიერება. ორგანიზმი, როგორც წესი, არ უპასუხებს იმუნოლოგიური რეაქციით თავის საკუთარ ანტიგენზე, თუმცა ზოგჯერ, ინფექციური, ქიმ. და ფიზ. ფაქტორების ზეგავლენით, საკუთარი ქსოვილიც შეიძლება „გაუცხოვდეს" და შეიძინოს ავტოანტიგენის თვისება, რის შედეგადაც ორგანიზმში იწყება ამ ავტოანტიგენისადმი აგრესიული სპეციფ. ანტისხეულების (ავტოანტისხეულები) გამომუშავება, რაც ხშირად ორგანიზმის დალუპვით მთავრდება.

O-ის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო 1939-იდან, როდესაც გერმ. მეცნ. ფ. შვენკერის და ფრანგი მეცნ. ფ. კომპლუაიეს ცდებით დადგინდა, რომ იმ ცხოველის სისხლში, რ-საც წინასწარ შეუყვანეს სტაფილოკოკის ან სტრეპტოკოკის ტოქსინთან შერეული თირკმლის უჯრედების ემულსია, აღმოჩნდა თირკმლის უჯრედების საწინააღმდეგო ანტისხეულები. ამერ. მკვლევრებმა პ. და ე. კაველტებმა ექსპერიმენტით დაადასტურეს, რომ ცხოველის ორგანიზმში ჰემოლიზური სტრეპტოკოკისა და თირკმლის ქსოვილის ნარევის შეყვანა იწვევს გლომერულონეფრიტს, ხოლო ჰემოლიზური სტრეპტოკოკის და გულის ქსოვილის ნარევის შეყვანა — მიოკარდიტს. წარმოქმნილი აგრესიული ავტოანტისხეულები სპეციფიკურად აზიანებენ თირკმლისა და გულის ნორმალურ უჯრედებს, რ-ებმაც შეიძინეს ავტოანტიგენის თვისებები. ავტოანტიგენის წარმოქმნა შეიძლება გამოიწვიოს სამკურნ. ქიმ. ნივთიერებებმაც, დამწვრობამ, დასხივებამ და სხვ. ფიზ. და აგრეთვე ენდოგენურმა ფაქტორებმა. ცნობილია ერითროციტების საწინააღმდეგო ანტისხეულები, რ-ებიც იწვევენ ჰემოლიზურ ანემიას; ანტილიმფოციტური ანტისხეულები, რ-ებიც იწვევენ ლევკოპენიას, ლევკოზებს, აგრანულოციტოზს და სხვ. ავსტრალ. ვირუსოლოგის ფ. *ბერნეტის* აზრით, ანტისხეულები ორგანიზმში შეიძლება წარმოიქმნას ქსოვილთა მუტაციის შედეგად. ამ დროს ჩნდება ისეთი უჯრედები, რ-ებიც არ არიან „გაწვრთნილნი", ვერ არჩევენ ერთიმეორისაგან თავისას და სხვისას და წარმოქმნიან ანტისხეულებს საკუთარი ანტიგენის მიმართ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იმუნოპათოლ. მოვლენები *ალერგიის* ერთ-ერთი ფორმის გამოვლენაა.

ლიტ.: А д о А. Д., Аллергия или иммунопатология? «Вестник Академии медицинских наук СССР», 1967, № 2.

ი. გიორგაძე.

იმუნოპროფილაქტიკა (*იმუნიტეტი* და *პროფილაქტიკა*), *პრაქტიკული იმუნოლოგიის* დარგი, რ-ის ამოცანაა ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო იმუნიტეტის გამომუშავება ორგანიზმში იმუნოლოგიური პრეპარატების (ვაქცინები, იმუნური შრატები, გამა-გლობულინები და სხვ.) შეყვანის გზით. O-ის საშუალებით შეიძლება მრავალი ინფექციური დაავადების (პოლიომიელიტი, ყვითელი ცხელება, დიფთერია, ტეტანუსი, ყვავილი და სხვ.) თავიდან აცილება.

იმუნოქიმია, *იმუნოლოგიის* დარგი, რ-იც შეისწავლის *იმუნიტეტის* ქიმიურ საფუძვლებს. O-ის ძირითადი პრობლემებია *ანტისხეულებისა* და ბუნებრივი და სინთეზური *ანტიგენების* აგებულების და თვისებების შესწავლა, აგრეთვე იმუნოლოგიური რეაქციების ამ კომპონენტების ურთიერთმოქმედების კანონზომიერებათა გამოვლინება სხვადასხვა ორგანიზმში.

თანამედროვე O-ის უდიდეს მიღწევად ითვლება ანტისხეულების — იმუნოგლობულინების მოლეკულების სტრუქტურის გაშიფვრა, მათი წმინდა სახით მიღების მეთოდების შემუშავება, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამკურნ.-პროფილაქტ. გამა-გლობულინებისა და გაწმენდილი და კონცენტრირებული იმუნური შრატების მიღების საქმეში. O. შეისწავლის პათოგენურ მიკრობთა და მათი შხამების — ტოქსინების ქიმ. შედგენილობას, ადგენს ბალასტი ნივთიერებებისაგან მათი გაწმენდისა და გაუვნებლობის მეთოდს. ამ გზით მიღებულ ანატოქსინებს, სრულ ანტიგენებს ფართოდ იყენებენ ახ. ტიპის, ე. წ. ქიმ. ვაქცინების შესაქმნელად.

იმუნური შრატები, ჰ ი პ ე რ ი მ უ ნ უ რ ი შ რ ა ტ ე ბ ი, ცხოველისა და ადამიანის სისხლისგან მიღებული პრეპარატები, რ-ებიც შეიცავენ ინფექციური დაავადებების აღმძვრელების ან მათი ცხოველმოქმედების პროდუქტების საწინააღმდეგო *ანტისხეულებს*; O. შ-ს იყენებენ *სეროდიაგნოსტიკაში, სეროპროფილაქტიკაში* და *სეროთერაპიაში*. O. შ-ს განეკუთვნება აგრეთვე რეკონვალესცენტური შრატები (მიიღება მწვავე ინფექციური დაავადებისაგან გამოჯანმრთელებული ადამიანის სისხლისაგან). განარჩევენ სამკურნ.-პროფილაქტ. და დიაგნოსტიკურ O. შ-ს. სამკურნ.-პროფილაქტ. O. შ-ია: ანტიტოქსიკური (დიფთერიის, ტეტანუსის, ბოტულიზმის, გველის შხამის საწინააღმდეგო), ანტიბაქტერიული (მენინგოკოკური, პნევმოკოკური, ჯილეხის, ადამიანის შავი ჭირის საწინააღმდეგო), მ. შ. კომბინირებული (აიროვანი განგრენის, ჯილეხისა და სხვ.), აგრეთვე ანტივირუსული (გრიპის, ცოფის და ენცეფალიტის საწინააღმდეგო). O. შ-ის აქტიურობას განსაზღვრავენ საერთაშორისო ერთეულით (სე) საცდელ ცხოველებზე (მაგ., დიფთერიის საწინააღმდეგო შრატის ერთმა ერთეულმა უნდა გაანეიტრალოს შესატყვისი ტოქსინის 100 სასიკვდილო დოზა); O. შ-ის აქტიურობის განსაზღვრა შეიძლება აგრეთვე სინჯარაში ფლოკულაციის, *აგლუტინა-*

ა. იმშენეცკი.

რ. ინანიშვილი.

ვ. მ. ინასარიძე.

ციის, პრეციპიტაციის და სხვ. რეაქციებით.

Ი. შ-ს იყენებენ პასიური იმუნიზაციისათვის, როდესაც საჭიროა ორგანიზმის ინფექციისაგან სწრაფი დაცვა (ასეთი იმუნიტეტი გასტანს მხოლოდ 2—3 კვირას) და უკვე დაავადებული ორგანიზმის სამკურნალოდ. Ი. შ-ის სამკურნ. დოზა 10-ჯერ და ზოგჯერ მეტჯერ აღემატება პროფილაქტ. დოზას. Ი. შ-ის გამოყენებამ მკვეთრად შეამცირა სიკვდილიანობა ზოგიერთი მძიმე დაავადების, განსაკუთრებით დიფთერიის დროს. მაგრამ მათ გამოყენებას მოჰყვა მძიმე გართულებები ანაფილაქსიური რეაქციებისა და *შრატისმიერი დაავადების* სახით, რასაც ორგანიზმში დიდი რაოდენობით უცხო ცილის შეყვანა იწვევს. ამიტომ საჭირო გახდა Ი. შ-ის გაწმენდა უცხო — ბალასტი ცილებისაგან და დამცავი თვისებების კონცენტრაციის უზრუნველყოფა. ყველაზე უფრო მიღებულია ანტიტოქსინის მოლეკულების დამუშავება პეფსინით. გამა-გლობულინებს ღებულობენ Ი. შ-ის დაბალ ტემპ-რაზე სპირტით გამოლექვით. გაუწმენდავ Ი. შ-ს ფართოდ იყენებენ ვეტერინარიაში სხვადასხვა დაავადების (პასტერელოზი, ჯილეხი, პარატიფები და სხვ.) მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის. სეროლოგიურ რეაქციებში Ი. შ-ს ძირითადად იყენებენ ლაბორ. დიაგნოსტიკისათვის, მაგ., აგლუტინაციის დროს. ანტივირუსულ Ი. შ-ს იყენებენ ვირუსის სახეობისა და ტიპების დასადგენად. სწრაფი დიაგნოსტიკისათვის მიმართავენ სპეციფ. ლუმინესცენტურ შრატებს—სპეც. საღებავით დატვირთული ანტისხეულები ანტიგენებთან შეერთებისას იწყებენ ნათებას—კაშკაშს. *ი. გიორგაძე.*

ი ვ ა ნ ე ნ ე ც კ ი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე [დ. 26. XII. 1904 (8. I. 1905), კიევი], საბჭ. მიკრობიოლოგი, სსრკ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1962). სოციალისტური შრომის გმირი (1975). 1949-იდან სსრკ მეცნ. აკად. მიკრობიოლ. ინ-ტის დირექტორი. Ი-ის ნაშრომები ეხება მიკროორგანიზმების მორფოლ. და ეკოლოგიური ფიზიოლოგიის, აგრეთვე კოსმ. ბიოლ. საკითხებს. Ი-მ დაადგინა სხვაობა ბაქტერიების ბირთვულ აპარატსა და უმაღლესი ორგანიზმების უჯრედების ბირთვებს შორის. დაასაბუთა (1954) ამიაკის დაჟანგვის შესაძლებლობა ნიტრიფიკაციის ბაქტერიების უჯრედებიდან მიღებული არაუჯრედული პრეპარატებით. დაადგინა, რომ აერობულ პირობებში ცელულოზა იშლება მიქსობაქტერიებით. Ი. სწავლობდა მუტაგენებით მიკროორგანიზმების ცვალებადობის კანონზომიერებებს და წარმოქმნილი მუტანტების ფიზიოლოგიას, იკვლევდა მიკროორგანიზმების ფერმენტებს და სხვ. მიენიჭა ლ. პასტერის მედალი (1955). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ინა, მოყვითალო-წითელი სალებავი, რ-საც იღებენ Lawsonia inermis-ის (ცოცხმაგარასებრთა ოჯახის ბუჩქი ან ბალახი. გავრცელებულია აღმ. ინდოეთში, ჩრდ. ავსტრალიაში, ზონდის კ-ებზე, ირანსა, ჩრდ. და აღმ. აფრიკაში. სამკურნალო და თაფლოვანი მცენარეა) ფოთლებისაგან; ხმარობენ შალისა და აბრეშუმის, აგრეთვე თმისა და ფრჩხილების შესაღებად. თვითონ მცენარესაც Ი-ს ეძახიან.

ი ნ ა ლ - ი ფ ა შალვა დენისის ძე (დ. 20. X. 1914, სოფ. გუფი, ოჩამჩირის რ-ნი, აფხ. ასსრ), აფხაზი საბჭ. ეთნოგრაფი, აფხ. ასსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1964), ისტ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966). სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა მ. გორკის სახ. სოხუმის პედ. ინ-ტი (1941). 1946-იდან მუშაობს ქ. სოხუმის დ. გულიას სახ. ენის, ლიტ-რისა და ისტ. ინ-ტში, 1958-იდან ამავე ინ-ტის ისტორიისა და ეთნოგრ. განყ-ბის გამგე. 1968-იდან დირექტორის მოადგილე. ამავე წლიდან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სარეფერენტო კომისიის წევრი. Ი-ს ძირითადი შრომები ეხება აფხაზთა ყოფისა და კულტურის პრობლემებს.

თხზ.: Абхазы (Историко-этнографические очерки), 2 изд., [Сух.], 1965; Вопросы этно-культурной истории абхазов, Сух., 1976; Очерки по истории брака и семьи у абхазов, [Сух.], 1954; Страница исторической этнографии абхазов, Сух., 1971.

ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი რევაზ კონსტანტინეს ძე (დ. 20. XII. 1926, სოფ. ხაშმი, ახლანდ. საგარეჯოს რ-ნი), ქართველი საბჭ. მწერალი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1956). პირველი მოთხრობა „სახსოვარი" გამოაქვეყნა ალმანახ „პირველ სხივში" 1950, პირველი კრებ. „პირველი მოთხრობები" — 1953. მოთხრობათა ძირითადი კრებულებია: „მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან" (1958), „წვეთები ფოთლებზე" (1962), „ცისფერი გორგალი" (1968), „საღამო ხანის ჩანაწერები" (1971), „ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა" (1974), „ჩიტების გამომზამთრებელი" (1978). Ი. ნაყოფიერად იღვწის საბავშვო ლიტ-რის დარგშიც (კრებულები: „ბედნიერი მთა", 1960; „ბიბო", 1964; „სად ცხოვრობს მეზღაპრე", 1970; „მგლის ლეკვები", 1973; „შორი თეთრი მწვერვალი", 1976; რუსთაველის სახ. პრემია, 1977, და სხვ.). Ი-ის პირველ კრებულებშივე გამოიკვეთა მისი შემოქმედების არსებითი თავისებურებანი: თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრების წარმოსახვა, ადამიანისადმი სათუთი სიყვარული და პატივისცემა, თხრობის ლირიზმი, სახეთა და ხასიათების ოსტატური ხატვა, ენის ნიუანსებისადმი გამახვილებული ყურადღება. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „არდადეგები", „დაბრუნებული ღიმილი", „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", „ფერმა მთაში", „ზაფხული სოფლად" („პასტორალი", თანაავტორი ო. იოსელიანი), „ნატვრის ხე" (გ. ლეონიძის წიგნის მიხედვით, თანაავტორი თ. აბულაძე), „ქვიშანი დარჩებიანო" (თანაავტორი გ. შენგელაია). Ი-ის მოთხრობები თარგმნილია რუს., ესტ., სომხ., უკრ., ბელ., ლიტვ., უნგრ. ენებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

თ. მაღლაფერიძე.

ი ნ ა რ ი (Inari), ტბა ფინეთის ჩრდ. ნაწილში. მდებარეობს ტექტონ.-მყინვარული წარმოშობის ვრცელ ჩადაბლებაში, 114 *მ* სიმაღლეზე. ფართ. დაახლ. 1050 *კმ²*, სიღრმე 60 *მ*-მდე. ნაპირები ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილი და მეტწილად დაჭაობებულია. ტბაში დაახლ. 3 ათ. კუნძულია. Ი. ბარენცის ზღვას უერთდება მდ. პატსიოკით. ყინულითაა დაფარული ნოემბრიდან მარტამდე.

ი ნ ა ს ა რ ი ძ ე გიორგი ზაქარიას ძე [დ. 25. X (7. XI). 1907, სოფ. ახალქალაქი, გორის მაზრა (ახლანდ. კასპის რ-ნი)], ქართველი საბჭ. ფიზიატრ-უროლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1939-იდან. 1930 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1941—45 მოქმედ არმიაში იყო საველე მოძრავი ჰოსპიტლისა და 46-ე არმიის მთავარ ქირურგად. 1949 მისი ინიციატივით თბილ. ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში დაარსდა უროლოგიური განყ-ბა, რ-საც ხელმძღვანელობს ღლემდე; 1955—59 იყო ამ ინ-ტის დირექტორი. Ი-მ ანატომიურად, ექსპერიმენტულად და კლინიკურად შეისწავლა შარდსასქესო ორგანოების ვენური სისტემა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ტუბერკულოზის პათოგენეზისა და მკურნალობის საკითხები, საშარდე ორგანოების კანდიდამიკოზი, დაამუშავა ნაღვლის გზების ოპერაციის ორიგინ. მეთოდი და სხვ. Ი. საკავშ. უროლოგიური საზ-ბის საპატიო წევრია. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენებით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Библиографический указатель отечественной урологии и смежных областей за 100 лет (1855—1955), т. 1—5, Тб., 1959—72.

ი ნ ა ს ა რ ი ძ ე გიორგი მოსეს ძე (დ. 25. XII 1920, სოფ. მარელისი, ახლანდ. ორჯონიკიძის რ-ნი), საბჭ. კავშირის გმირი (18 VIII. 1945). პოლკოვნიკი. სკკპ წევრი 1944-იდან. 1940 დაამთავრა საავიაციო სკოლა ქ. ოდესაში. დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა ცენტრ. (1941-იდან), კალინინის (1942-იდან), ბელორ. I (1943-იდან) ფრონტებზე. მის ანგარიშზეა 188 საბრძოლო გაფრენა. 1945 დაამთავრა სამხ.-საჰაერო ძალების პოლკის შტურმანთა უმაღლესი საოფიცრო სკოლა. 1946—51 მუშაობდა საქსსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში. იყო თიანეთის (1953—55), ბორჯომის (1955—61), რუსთავის (1961—63) სამხ. კომისარი. 1963-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.

ი ნ ა უ რ ი ალექსი ნიკოლოზის ძე [დ. 29 IV (12. V). 1908, გორი], საბჭ. გენერალ-პოლკოვნიკი (1967). სკკპ წევრი 1932-იდან. 1927 მოხალისედ შეიდა წითელ არმიაში. 1931 დაამთავრა წითელ მეთაურთა ჩრდ. კავკ. მთიელ ეროვნებათა საკავალერიო სკოლა. დიდი სამამულო ომის წინ იყო კიევის განსაკუთრებულ სამხ. ოლქში საკავალერიო პოლკის მეთაური. დიდ სამამულო ომის დაწყებისას Ი. სსრკ-ის დასავლეთ საზღვარზე (ქ. ლვოვის რ-ნში) ჩაება ბრძოლებში, დაინიშნა დივიზიის მეთაურად მოადგილედ, 1942 იანვრიდან—სამხრ.- დასავლეთ და სამხრ. ფრონტებზე მოქმედი 34-ე დივიზიის მეთაურად. შემდეგში მეთაურობდა 1-ლ საკავალერიო დივიზიას. ომის დროს მონაწილეობდა მთელ რიგ თავდაცვითსა და შეტევითს ოპერაციებში. 1948, გენშტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ, იყო სხვადასხვა შინაერთის მეთაური, 1953—54 საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. 1954-იდან საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რე; 1953-იდან საქ. კომპარტიის ცკ-ის და მისი ბიუროს წევრია. სკკპ XX—XXV ყრილობების დელეგატი. სსრკ IV—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, 2 წითელი დროშის, 2 შრომის წითელი დროშის, 2 წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით, აგრეთვე რიგი სოციალისტური ქვეყნების ორდენებითა და მედლებით.

ნ. კალაძე.

ი ნ ა უ რ ი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ბელოთის სოფსაბჭო), მდ. პატარა ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ* ცხინვალიდან 50 *კმ*. ვანათის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ბელოთში (15 *კმ*).

ი ნ ა ფ ა რ ი ძ ე ე ბ ი, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (მერისის სოფსაბჭო), შავშეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. მერისის (აჭარისწყლის აუზი) მარჯვ. მხარე. ზ. დ. 430 *მ*, ქედიდან 8 *კმ*. მერისი. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. მერისში (1 *კმ*). კლუბი (კინოდანადგარი).

ი ნ ა ფ ა უ რ ი, სოფელი ვანის რ-ნში (ამაღლების სოფსაბჭო), მდ. ვეინისწყლის (რიონის სისტემა) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 240 *მ*, ვანიდან 14 *კმ*. ზეინდრის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა. კლუბი, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. Ი-ში არის ალებასტრის საბადო და გოგირდოვანი მინერ. წყალი. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფლის მახლობლად მაღალ მთაზე მდებარეობს XII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, რ-საც მოსახლეობა თამარის ციხეს უწოდებს. ნაგებია ნატეხი ქვითა და კი-

ის ხსნარით. აღმ. და ჩრდ. მხარეს შეარჩენილია 6—8 *მ* სიმაღლისა და 1,5—*მ* სიგანის კედლები. ციხეს ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი—ჩრდ.-აღმ-ით, მეო—სამხრ.-დას-ით. ციხის კედლებში მრავალი გვირაბია. *ვ. გოგიბერიძე.*

ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო) იობის (ოველის) ძე [11 (23). VIII. 1887, თბილისი, — 4. VI. 1958, იქვე], ქართველი ბჭ. მომღერალი (ბარიტონი), ქართული ოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძმდებელი. სსრკ სახ. არტისტი (1950). კპ წევრი 1946-იდან. თავდაპირველად ეროდა ს. კავსაძისა და ნ. სულხანიშვილის ქართ. ხალხური სიმღერის გუნდებ. 1912-იდან გამოდიოდა თბილ. სახ. ეატრის სპექტაკლებში (ხელმძღვ. ს. ლახიშვილი), იმღერა ტორეადორის (ბიზეს „კარმენი"), რიგოლეტოსა და ჟერმონის (ვერდის „რიგოლეტო" და „ტრავატა"), ფიგაროს (მოცარტის „ფიგაროს ირწინება") პარტიები. 1916 დაამთავრა ბილ. სამუსიკო სასწავლებელი (ე. რიადგის კლასი). 1917-იდან თბილ. ოპერა- და ბალეტის თეატრის სოლისტია. 1923 სუმბათაშვილ-იუჟინისა და ვ. სარაჯიშვილის დახმარებით იტალიაში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო ე. ჯირალდოსთან. 1923—25 წარმატებით გამოდიოდა ალ. და ესპ. საოპერო სცენებზე. 1932 ენინგრ. კიროვის სახ. თეატრის სოლისტი იყო. 1933 დაბრუნდა თბილისში და შაობდა თბილ. ოპერისა და ბალეტის ეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და ოლისტად. ი-მა იშვიათი სილამაზის, ეერდოვანი ტემბრის ხმისა და ბრწყინლე აქტიორული ნიჭის წყალობით შექმნა შესანიშნავი ვოკალურ-სცენური სახეები ქართ., რუს. და უცხოურ ოპერებში: რმანი და კიაზო (ფალიაშვილის „აბელომ და ეთერი", „დაისი"), გოჩა (ბანჩიავაძის „დარეჯან ცბიერი"), აბდულაბი (არაყიშვილის „თქმულება შოთა ესთაველზე" — ამ პარტიების პირველი ბსრულებელი), ევგენი ონეგინი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი"), ბორის გოდუნოვი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი"), ბონი (რუბინშტეინის „დემონი"), მეფისტოფელი (გუნოს „ფაუსტი") და სხვ. საკონცერტო მომღერალიც იყო. აღსანიშნავია მისი სარეჟისორო მოღვაწეობა: ოდგა ვერდის „აიდა" და ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი". 1937-იდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილ. კონსერვატორიაში. ანი მოწაფეები არიან: მ. ამირანაშვილი, ზალიშვილი, პ. თომაძე, შ. კიკნაძე, ი. შუშანია და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: კ ა შ ვ ა ძ ე შ., სანდრო ინაშვილი, თბ., 1948; ბ ჭ ე დ ლ ი ძ ე დ., ქართველ მომღერალთა სამი თაობა, თბ., 1958. *მ. გელეგანიშვილი.*

ინბერი ვერა მიხეილის ასული [28. VI (O. VII). 1890, ოდესა, — 15. XI. 1972], ბელი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1943-ან. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1910-იდან. ბიანი წლების ლუქსებში გადმოსცა ფიქრები რევოლუციის, ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებების შესახებ (კრებ. „მიზანი ბ გზა", 1925; „ვაჟიშვილს, რომელიც ბარ არის", 1927). ავტორია პოემისა „საბაო დღიური" (1939), რ-იც მოგვითხრობს საქართველოს, მისი წარსულისა და ბმყოს, მისი ადამიანების შესახებ. ი-მა ენინგრ. გმირულ თავდაცვას უძღვნა ებ. „ლენინგრადის სული" (1942), პოემა „პულკოვოს მერიდიანი" (1943, სსრკ ელმწ. პრემია, 1946). ი. საბავშვო ლიტერატურის ოსტატია. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—4, М., 1965—66. *ვ. გიგოლოვი.*

ინბრიდინგი (ინგლ. inbreeding<in—ენით და breeding — მოშენება), ი ნ ბ ი ტ ი (გერმ. Inzucht), ორგანიზმთა ახლონათესაური ფორმების შეჯვარება ერთი პოპულაციის ფარგლებში. ი-ის ყველაზე თვალსაჩინო ფორმაა თვითგანაყოფიერება. ი-ის დროს ყოველი გენის წყვილია (Aa) მიმართ ჰეტეროზიგოტური ორგანიზმების შთამომავლობის ნახევარი ჰეტეროზიგოტურია (2Aa), მეორე ნახევარი კი — ჰომოზიგოტური (1AA+1aa). მეორე ჰიბრიდულ თაობაში ჰეტეროზიგოტების რაოდენობაა $(1/2)^2=1/4$, მესამეში— $(1/2)^3=1/8$, n თაობაში კი— $(1/2)^n$. პოპულაციის ჰეტეროზიგოტური ინდივიდების თვითგანაყოფიერებისას ყოველ მომდევნო თაობაში გენების ის ნახევარი, რ-იც ადრე ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში იყო, იქცევა ჰომოზიგოტურ ფორმად. დიმორფულ ცხოველებსა და ჯვარედინმტვერია მცენარეებში ი-ის დროს წარმოქმნილ ჰომოზიგოტებში შესაძლოა რეცესიული მავნე გენების მოქმედების გამოვლენა, რაც იწვევს ორგანიზმთა ნაწილობრივ დაკნინებას (სუბლეტალური და სუბვიტალური გენები) ან სრულ დაღუპვას (ლეტალური გენები). ადამიანთა ახლონათესაური ქორწინებისას ბავშვები ხშირად ავადდებიან მემკვიდრული დაავადებებით, 24—48%-ით მეტია თანდაყოლილი სიმახინჯეები, მკვდრადშობადობა, ბავშვთა სიკვდილიანობა. ი-ის დროს მავნე გენების მიმართ ჰომოზიგოტების წარმოქმნით გამოწვეული დეპრესია უფრო აშკარად ვლინდება პირველ თაობაში. ე. წ. ინბრედული მინიმუმის მიღწევის მერე ცვლილებები აღარ ღრმავდება. რადგან ი-ის დროს ჰომოზიგოტურობა ვლინდება არა მარტო მავნე, არამედ ნორმალური (მ. შ. სამეურნეო თვალსაზრისით ძვირფასი ნიშნების განმსაზღვრელი) გენების მიმართაც, ამიტომ ამ დროს შესაძლებელი ხდება სავსებით სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმების მიღება. ამასთან, ამგვარი ორგანიზმები მუდმივად ინარჩუნებენ შთამომავლობისათვის ამ სასარგებლო ნიშნების გადაცემის უნარს. ორი ან რამდენიმე ინბრედული ხაზის შეჯვარებისას პირველ ჰიბრიდულ თაობაში აღინიშნება *ჰეტეროზისი*, რასაც ფართოდ იყენებენ მემცენარეობასა და მეფრინველეობაში.

ლიტ.: Борисенко Е. Я., Разведение сельскохозяйственных животных, 4 изд., М., 1967; Дарвин Ч., Действие перекрёстного опыления и самоопыления в растительном мире, М.—Л., 1939; Исарев В. Е., Инцухт, ред.: Теоретические основы селекции растений, под ред. Н. И. Вавилова, т. 1, М.—Л., 1935.

ინგარდენი (Ingarden) რომან (5. II. 1893, კრაკოვი, — 15. VI. 1970, იქვე), პოლონელი ფილოსოფოსი. პროფესორი (1933), პოლონეთის მეცნ. აკად. ნ. წ. (1957). ე. ჰუსერლის მოწაფე. დიდი პოპულარობა მოუპოვა ნაშრომმა ფენომენოლოგიაში, რ-შიც გადმოცემულია ჰუსერლის იდეალ. ფენომენოლოგიისაგან დიდად განსხვავებული თვალსაზრისი. აღსანიშნავია აგრეთვე მისი შრომები ესთეტიკაში, ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში, აგრეთვე თანამედროვე ბურჟ. ფილოს. საკითხებზე.

ინგეთი, სოფელი ახმეტის რ-ნში (ახმეტის საქალაქო საბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1080 *მ*, ახმეტიდან 12 *კმ*. ახმეტის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ოსიაურში (7 *კმ*).

ინგილოები, იხ. *ქართველები.*

ინგირი (1938-მდე ჯ ო ღ ე ჯ ი ა ნ ი), სოფელი ზუგდიდის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ი., ოირემე). ზ. დ. 65 *მ*, ზუგდიდიდან 3 *კმ*, რკინიგზის სადგური. ვ. ი. ლენინის ორდენოსანი მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა და კოლ-ბა, ჩაის ფ-კა, საღებავების საამქრო, სასწავლო-საწარმოო კომბინატი, პროფტექ. სასწავლებელი, 2 საშ. სკოლა, რვაწლ. სკოლა-ინტერნატი, საღამოს (ცვლიანი) საშ. სკოლა, 4 საბავშვო ბაღი, ბაგა, მუს. სკოლა, კულტსახლი, 3 კინოდანადგარი, ბ-კა, საავადმყოფო, 2 აფთიაქი, 2 კავშირგაბმ. განყ-ბა, აეროპორტი.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო ზუგდიდის რ-ნში. დაარსდა 1932. მეურნ. ძირითადი დარგია მეჩაიეობა. ჩაის პლანტაციების ფართობითა და მოსავლიანობით ერთ-ერთი პირველია ჩაისა და სუბტროპ. მეურნეობების ტრესტის სისტემაში. 510 ჰა ფართობიდან 1975 მიიღეს 4100 ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეურნეობაში სამუშაოთა 80%-ზე მეტი მექანიზებულია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

ა. ინაური.

ინგლისს-ავღანეთის ომები XIX — XX სს., ინგლისის კოლონიური ომები ავღანეთის წინააღმდეგ. პ ი რ ვ ე ლ ი ი.-ა. ო. (1838—42) დაიწყო 1838 დეკ.; ინგლ. ჯარები (30 ათასზე მეტი კაცი) შეიჭრნენ სამხრ.-დას. ავღანეთში, 1839 დაიკავეს ყანდაარი, ღაზნი, ქაბული. მათ წინააღმდეგ დაიწყო პარტიზ. ომი. ქაბულში აჯანყებულებმა (1841 ნოემბ.) გაანადგურეს ინგლ. საოკუპაციო არმია, ინგლ. მომხრე შაჰ-შუჯა მოკლეს. 1842 დამლევისათვის ინგლ. ჯარების გადარჩენილმა ნაწილმა დატოვა ავღანეთი. მ ე ო რ ე ი.-ა. ო. (1878—80). ინგლ. ჯარები (36 ათ. კაცი) შეიჭრნენ ავღანეთში, 1879 იანვ. დაიკავეს ყანდაარი. ამირა იაყუბ-ხანმა ინგლისთან დადო ხელშეკრულება (*იხ. ინგლისს-ავღანეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები XIX—XX სს.*), რ-მაც გამოიწვია სახ. აჯანყება 1879 სექტ-ში. 1880 წ. 27 ივლ. ყანდაარის ახლოს ავღანელებმა გაანადგურეს ინგლ. ბრიგადა. ქაბულში ინგლისელებს ალყა შემოარტყა აჯანყებულთა თითქმის 100 ათასიანმა არმიამ. ინგლისმა ხელი აიღო ავღ. დაპყრობაზე, თუმცა 1880 ამირა აბდურაჰმანთან შეთანხმების საფუძველზე დაწესდა ინგლ. კონტროლი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. მ ე ს ა მ ე ი.-ა. ო. (1919) ინგლისმა დაიწყო ამირა ამანულას მიერ ავღ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. საომარი მოქმედება დაიწყო 3 მაისს. ინგლ. ჯარის რაოდენობრივი და ტექ. უპირატესობის მიუხედავად (ინგლ. არმიაში დაახლ. 340 ათ. კაცი იყო, ავღანეთის არმიაში—40 ათ.), ავღ. ჯარებმა 27 მაისს ალყა შემოარტყეს თალის სიმაგრეს. 3 ივნ. დაიდო დროებითი ზავი, 8 აგვ. ქ. რავალპინდში — პრელიმინარული საზავო ხელშეკრულება. მესამე ი.-ა. ო-ში ავღ. წარმატების მნიშვნელოვანი პირობა იყო მორალურ-პოლიტ. მხარდაჭერა საბჭ. რუსეთისა, რ-მაც პირველმა აღიარა დამოუკიდებელი ავღანეთი.

ა. ინაშვილი.

ინგლისს-ავღანეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები XIX—XX სს., 1 8 0 9 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ხელი მოაწერეს ფეშავარში, რატიფიცირებულ იქნა 17 ივნისს. ეს იყო პირველი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რ-იც ინგლისმა თავს მოახვია ავღანეთს. ავღ. ამირა შუჯა ულ-მულქი ტახტისათვის ბრძოლაში ინგლ. მხარდაჭერის მოსაპოვებლად კისრულობდა მის მხარეზე გამოსვლას, თუ საფრანგეთი და ირანი წამოიწყებდნენ შეტევას ინდოეთზე. 1 8 5 5 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (ფეშავარი, 30 მარტი) აწესრიგებდა მხარეებს შორის ურთიერთობას ინგლ.-ავღ. პირველი ომის შემდეგ. 1 8 5 7 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა (ფეშავარი, 26 იანვ.) ხელმოწერილ იქნა ინგლ.-ირან. ომის 1856—57 დროს, ინგლისი კისრულობდა ამირა დოსთ მუჰამადის სუბსიდირებას იმ იმედით, რომ ჩაბამდა მას ირანის წინააღმდეგ ომში. 1 8 7 9 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს (განდამაკი, 26 მაისი) თანახმად ავღანეთი ხდებოდა ინგლისზე დამოკიდებული სახელმწიფო, კარ-

გავდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უფლებას. ფაქტობრივად მყარდებოდა ინგლ. რეზიდენტული კონტროლი ქვეყნის საშინაო საქმეებზე. ინგლ. მფლობელობაში გადავიდა სიბის, კურამის და ფიშინის ოლქები. ამ ხელშეკრულებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ავღანეთში. ხალხის ანტიიმპერიალ. ბრძოლის შედეგად ინგლისი იძულებული გახდა უარი ეთქვა ავღ. საშინაო საქმეების კონტროლზე და 1881 გაეყვანა თავისი ჯარები ყანდაარიდან (დაიკავა 1879 იანვ.). 1893 შეთანხმება (ქაბული, 12 ნოემბ.) ამტკიცებდა ინგლ.-რუს. 1869—73 შეთანხმებას ავღ.-რუს. საზღვრის დაწესების შესახებ მდ. ამუდარიის ზემო და შუა დინების გაყოლებით. საზღვარი ავღანეთსა და ინდოეთში ბრიტ. სამფლობელოებს შორის განისაზღვრებოდა „დიურანდის ხაზით". 1905 ხელშეკრულება (ქაბული, 21 მარტი). ამირა ჰაბიბულამ დაადასტურა ამირა აბდურაჰმანის მიერ დადებული ინგლ.-ავღ. ყველა შეთანხმება. 1919 ხელშეკრულება [რავალპინდი (ახლანდ. პაკისტანი), 8 აგვ.] ამყარებდა მშვიდობიან ურთიერთობას ინგლისსა და ავღანეთს შორის და აღიარებდა „დიურანდის ხაზს"; აუქმებდა ამირასათვის სუბსიდიის მიცემას. 1921 ხელშეკრულება დაიდო ოქტ-ში, რატიფიცირებულ იქნა 22 ნოემბ. ქაბულში. ინგლისმა აღიარა ავღანეთის დამოუკიდებლობა.

ინგლის-ამერიკის ომი 1812—14, გამოიწვია, ერთი მხრით, ინგლისის მისწრაფებამ მოეშალა აშშ-ის ვაჭრობა და ეკონომიკა, მეორე მხრით, აშშ-ის გარკვეული წრეების პოლიტიკამ — გაეფართოებინათ თავისი სამფლობელოები (დაეპყროთ კანადა). ომის უშუალო საბაბი გახდა ინგლ. ფლოტის მიერ ამერ. გემების ჩხრეკა და მიტაცება. 1812 წ. 18 ივნ. აშშ-მა ომი გამოუცხადა ინგლისს. ამერ. კაპერებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ინგლ. გემებს, მაგრამ კანადაში შეჭრის ცდა მარცხით დამთავრდა. ინგლისელებმა ისარგებლეს თავისი საზღვ. უპირატესობით და ბლოკადაში მოაქციეს აშშ-ის სანაპირო. 1814 წ. 24 აგვ. ისინი გადავიდნენ ნაპირზე და გადაწვეს ქ. ვაშინგტონის დიდი ნაწილი. ამერიკელებმა გაიმარჯვეს ბლამპლეინის ტბაზე (1814, სექტ.) და ახალ ორლეანთან (1815 წ. 8 იანვ.) ბრძოლებში (საზავო ხელშეკრულების დადების ამბავი სამხ. სარდლობამ ჯერ არ იცოდა). 1814 წ. 24 დეკ. დაიდო გენტის ხელშეკრულება, რ-მაც აღადგინა ომამდელი მდგომარეობა.

ინგლის-ბირმის ომები 1824—26, 1852, 1885, ინგლისის დამპყრობლური ომები ბირმის კოლონიურ სამფლობელოდ გადაქცევის მიზნით. პირველი ი.-ბ. ო. (1824—26) დაიწყო ინგლ. ოსტინდოეთის კომპანიამ 1824 წ. 5 მარტს. ინგლ. ჯარებმა დიდი ზარალის მიუხედავად შეძლეს ბირმის დედაქალაქ ავამდე მისვლა და აიძულეს ბირმა 1826 წ. 24 თებ. იანდაბოში დაედო ხელშეკრულება. ბირმას ჩამოსცილდა არაკანი, ტენასერიმი, ინდ. სამთავროები ასამი და მანიპური (რ-ებიც ბირმამ დაიპყრო XIX ს. დასაწყისში). ბირმა კისრულობდა 1 მლნ. ფუნტი სტერლინგი კონტრიბუციის გადახდას, ინგლ. რეზიდენტის მიღებასა და ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას. მეორე ი.-ბ. ო-ის (1852) შედეგად ოსტ-ინდ. კომპანიამ პეგუ თავის სამფლობელოებს შეუერთა. მესამე ი.-ბ. ო-ით (1885) დასრულდა ბირმის დაპყრობა. 1886 წ. 1 იანვ. მანიფესტით ბირმა ინგლ. სამფლობელოებს შეუერთდა და ინდ. შემადგენლობაში შევიდა როგორც ცალკე პროვინცია.

ინგლის-ბერმანიის საზღვაო შეთანხმება 1935, შეთანხმება, რ-მაც შეცვალა დიდი ბრიტანეთისა და ფაშისტური გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალთა თანაფარდობა და ხელი შეუწყო გერმანიის სამხედრო ფლოტის აღორძინებას. დაიდო 18 ივნ. გერმანიას უფლება ეძლეოდა ბრიტ. იმპერიის სამხ.-საზღვ. ძალების საერთო წყალწყვის 35%-ის ტოლი ფლოტი ჰყოლოდა. გერმ. წყალქვეშა ნავების წყალწყვა უნდა ყოფილიყო ბრიტ. იმპერიის წყალქვეშა ნავების საერთო წყალწყვის 45%. ამასთან, პრინციპში გერმანიას უფლება ეძლეოდა მისი გაზრდისა ბრიტ. იმპერიის წყალქვეშა ფლოტის რაოდენობამდე. ი.-ბ. ს. შ. იყო ფაშისტური აგრესიის წახალისების პოლიტიკის ერთ-ერთი აქტი ინგლ., საფრ. და აშშ-ის მხრივ და ხელს უწყობდა გერმ. პოზიციების განმტკიცებას რრდ. და უმთავრესად ბალტიის ზღვაზე სსრკ-ის წინააღმდეგ. 1939 აპრილში გამალებული შეიარაღებისა და II მსოფლიო ომისათვის მზადების პირობებში გერმანიამ ი.-ბ. ს. შ-ის დენონსირება მოახდინა.

ინგლის-დანიის ომი 1807—14, ინგლისის ომი დანიის წინააღმდეგ, ე. წ. *ნაპოლეონის ომების* ნაწილი. ინგლისმა, რ-იც ცდილობდა ხელი შეეშალა დანიის მონაწილეობისათვის *კონტინენტურ ბლოკადაში,* 1807 წ. 16 აგვ. დესანტი გადასხა დანიის სანაპიროზე, დესანტს დაახმარა თავისი ფლოტი და ბლოკადაში მოაქცია კოპენჰაგენი. 7 სექტ. დანიელებმა დათმეს დედაქალაქი. ინგლისელებმა ხელი იგდეს დანიის თითქმის მთელი სამხ. ფლოტი. დანიამ კაპიტულაცია მაინც არ გამოაცხადა, 1807 ოქტ. ბოლოს მან სამხ. კავშირი დადო საფრანგეთთან და მიემხრო კონტინენტურ ბლოკადას. 1807 წ. 4 ნოემბ. ინგლისმა ოფიციალურად გამოუცხადა ომი დანიას. ამ ომში 1810-მდე დანიას ეხმარებოდა რუსეთი, რ-მაც 1807 წ. 7 ნოემბ. ომი გამოუცხადა ინგლისს. 1808—09 დანია ეომებოდა შვეციასაც, კილის საზავო ხელშეკრულებებით (1814) და ვენის კონგრესის (1814—15) თანახმად, დანიამ შვეციას ნორვეგია დაუთმო, ხოლო ინგლისს—კ. ჰელგოლანდი. ი.-დ. ო-მა და დანიის წარუმატებელმა მონაწილეობამ ნაპოლეონის ომებში დასცა დანიის ეკონომიკა და იგი მეორეხარისხოვან საზღვ. სახელმწიფოდ აქცია.

ინგლის-ეგვიპტის ომი 1882, ინგლისის დამპყრობლური ომი ეგვიპტეში კოლონიური ბატონობის დასამყარებლად და ეროვნ.-განმათ. აჯანყების (არაბი ფაშას მეთაურობით) ჩასახშობად. 11 ივლ. ინგლ. ესკადრამ დაბომბა ალექსანდრია. 15 ივლ. ინგლ. დესანტმა დაიკავა ქალაქი. 28 ივლ. ეგვიპტელებმა შეაჩერეს ინგლ. ჯარის შეტევა კაიროზე. მაშინ ინგლისმა მნიშვნელოვანი სამხ. ძალები (ინგლ. და ინდ.) გადაისროლა სუეცის არხის ზონაში; 2 აგვ. მათ დაიკავეს სუეცი, 20 აგვ. — ისმაილია, 13 სექტ. დაამარცხეს ეგვიპტელები თელ-ელ-ქაბირთან, 14 სექტ. შევიდნენ კაიროში. მალე დაიკავეს მთელი ეგვიპტე, რ-იც ამ ომის შემდეგ ფაქტობრივად ინგლ. კოლონიად გადაიქცა.

ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება 1936 მეგობრობისა და კავშირის შესახებ (ლონდონი, 26 აგვ.), ხელშეკრულებამ რამდენადმე გაფართოვა ეგვ. დამოუკიდებლობა საშინაო და საგარეო საქმეებში. I მუხლის თანახმად, ფორმალურად წყდებოდა ინგლ. ჯარების მიერ ეგვ. ოკუპაცია. ამავე დროს ხელუხლებლად რჩებოდა ბრიტ. იმპერიალიზმის ძირითადი სამხ. პოზიციები ეგვიპტეში. მშვიდობიან დროს ინგლისს უფლება ჰქონდა სუეცის არხის ზონაში ჰყოლოდა დაახლ. 10-ათასიანი ჯარი, ხოლო ომის შემთხვევაში ეგვიპტე ვალდებული იყო ინგლისისათვის გადაეცა ყველა ნავსადგური, აეროდრომი, მიმოსვლისა და კავშირის საშუალებანი. 1951 წ. 15 ოქტ. ეგვ. პარლამენტმა მოახდინა ამ ხელშეკრულების დენონსირება. ინგლისმა ცნო ხელშეკრულებ გაუქმება ინგლის-ეგვიპტის შეთანხმებ (1954).

ინგლის-ეთიოპიის ომი 1867—6 ინგლისის დამპყრობლური ომი ეთიოპი წინააღმდეგ. ინგლ. ჯარების ძირითა ნაწილი გადავიდა აფრ. სანაპიროზე 18 დეკ. — 1868 იანვარში. 1868 წ. 10 აპ ინგლისელებმა გაიმარჯვეს აროგასთ 13 აპრ. აიღეს მაგდალის ციხესიმაგრ ეთიოპ. ჯარების სარდალმა იმპ. თეოდ II-მ თავი მოიკლა (1868 წ. 13 აპრ.). გვარად, ინგლისელებმა მოიგეს ომი, მ რამ ადგილ. მოსახლ. წინააღმდეგობ გამო ვერ შეძლეს ეთიოპიაში დამკვიდრ და იძულებული გახდნენ 1868 მაისის დ ლევისათვის ჯარები გაეყვანათ.

ინგლისელები, ერი, დიდი ბრიტანეთ ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 45,6 მ (1973, შეფასება). ცხოვრობენ აგრეთ ირლანდიაში და ბრიტანეთის კ-ებს გარე ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც. ინგლ. ენ განეკუთვნება ინდოევრ. ენების დას. გერ შტოს. მორწმუნეთა უმრავლესობა ანგლ კანური ეკლესიის მიმდევარია (25 მლნ- მეტი), 3,4 მლნ. კათოლიკეა.

ინგლ. ხალხი ჩამოყალიბდა სხვადასხ ეთნ. ელემენტის შერევისა და ხანგრძლ ვი ასიმილაციის შედეგად. ბრიტანეთ კ-ების ერთ-ერთი უძველესი ბინადრები ვნენ კელტი ტომები (ბრიტები და სხვ რ-ებიც აქ ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებ დასახლდნენ. ახ. წ. V—VI სს-ში ბრიტ ნეთის კ-ებზე მატერიკიდან გადმოსახ დნენ გერმ. ტომები — ანგლები, საქსე იუტები, რ-თაც კელტების ნაწილი შეე წყა, ნაწილი კი შოტლანდიის, უელს და კორნუოლის მთებს შეეხიზნა. VI X სს-ში გერმ. და კელტი ტომების საფუ ველზე ჩამოყალიბებულ ანგლოსაქს ეროვნებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ბ ანდინეს სკანდინავიელებმა (დანიელებ ნორვეგიელები), რ-თაც VIII—IX სს- დაიპყრეს ინგლ. ზოგიერთი რ-ნი. 10 ნორმანებმა დაიკავეს ინგლისი და ფრანკ-ნორმანთა ბარონები გაბატონდნ ოფიც. ენა გახდა ფრანგული, თუმცა ხა ხში კვლავ ცოცხლობდა ანგლოსაქსუ ენა. თანდათანობითი ასიმილაციის შედ გად XIII—XIV სს. ანგლოსაქსები და ნო მანები ერთიან ინგლ. ეროვნებად ჩამო ლიბდნენ. XVI ს-ში იქმნებოდა საერ ინგლ. სალაპარაკო და სალიტ. ენა. ინგ ბურჟ. რევ. შედეგად XVII ს-ში ძირი დად დასრულდა ინგლ. ერის ჩამოყალიბ ბა. მთელი რიგი ერების — აშშ-ში ამერ კელების, ინგლისელ-კანადელების, ავს რალიელების, ახალზელანდიელების ჩამ ყალიბებაში ერთ-ერთ მთავარ კომპონენ ინგლ. ემიგრანტები შეადგენდნენ.

ინგლისელებისა და ბურების ომ 1899—1902, ინგლისის იმპერიალისტურ ომი ბურების რესპუბლიკების — სამხრ აფრიკის რესპუბლიკისა (ტრანსვაალი) ორანჟის თავისუფალი სახელმწიფოს(ორ ჟის რესპ.) წინააღმდეგ. ინგლ. იმპერია პოლიტიკის ყველაზე აშკარა გამტარ ლები იყვნენ ს. როუდზი და ჯ. ჩემბერლ ნი. ომის პირველ ეტაპზე ბურებმა მოიპ ვეს წარმატებები. 1899 ოქტ.. ნატალ ფრონტზე მათ აიღეს ჩარლზტაუნი, ნ კასლი, გლენკო. მაგრამ შემდეგ გადამწ ვეტი შეტევის ნაცვლად ალყა შემოარტ ქ-ებს ლედისმითს, მეფიკინგსა და კ ბერლს. 1900 იანვ. ბოლოს ინგლ. ჯარებ (200 ათ-ზე მეტი კაცი) გენ. რობერტს მეთაურობით გაათავისუფლეს ალყა მორტყმული ქ-ები. 1900 მარტში მათ ა ღეს ორანჟის რესპ. დედაქალაქი ბლუმფო ტეინი, ივნისში — ტრანსვაალის დედაქ ლაქი პრეტორია. ორივე რესპ. ბრიტ. პერიას შეუერთეს. მაგრამ დაახლ. 20 ა ბურმა გენერლების ლ. ბოტის, ქ. დეჟ ტისა და ი. დელარეის მეთაურობით ჩ აჩაღეს პარტიზ. ომი. ი. და ბ. ო. დ რულდა 1902 წ. 31 მაისის საზავო ხელ

სტ. ივანოვი ა. ა. „ქრისტეს გამოცხადება ხალხის წინაშე". 1837–57. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

სტ. *იმპრესიონიზმი.* კ. მ ო ნ ე. „საუზმე ბალში". ფრაგმენტი. 1872. ლუვრი. პარიზი.

კრულებით (დაიდო პრეტორიაში). ბუ-
ბმა ცნეს სამხრ. აფრ. და ორანჟის რესპ.
ექსია ინგლისის მიერ. სამხრ. აფრიკაში
ამტკიცების მიზნით, ინგლისელები ბუ-
ბთან კომპრომისის გზას დაადგნენ და
თანხმდნენ 1910 სამხრ. აფრ. კავშირის
ქმნაზე (იხ. *სამხრეთ აფრიკის რესპუ-
ბლიკა*), რ-ის შემადგენლობაში შევიდა
რების რესპ. ყოფილი ტერიტორია. ამ
ში ბურების მხარეზე მოხალისედ მონა-
ლეობდა და მის შესახებ საინტერესო
გონებები დაგვიტოვა ნ. *ბაგრატიონმა*
აკო ბურმა).

**ბლისელებისა და ბურების ომი
ელუსებთან 1838—40,** ბური და ინგ-
ისელი კოლონიზატორების დამპყრობ-
ერი ომი ზულუსების წინააღმდეგ. XIX ს.
-იან წლებში ზულუსი ტომების მიწე-
თ (ნატალის ტერიტ.) დაინტერესდნენ
ბის კოლონიის ბურები. 1838 აპრ. ბუ-
ბსა და ზულუსებს შორის დაიწყო ომი.
რებს მხარი დაუჭირეს ინგლ. კოლონის-
ბმა. თავდაპირველად ზულუსები უზე-
ესი ბელადის *დინგაანის* მეთაურობით
აწროებდნენ დამპყრობლებს, მაგრამ
38 წ. 16 დეკ. მდ. ინკომის ველზე ბურებ-
დაამარცხეს ზულუსები. დეკემბერშივე
რტ-ნატალში გადმოსხდნენ ინგლ. რე-
ლ. ჯარები და 1839 დეკ-მდე დარჩნენ
. 1839 წ. 23 მარტს ზულუსების წარმო-
დგენლები იძულებული გახდნენ ინგლ.
რის სარდლობასთან დაედოთ შეთან-
ება, რ-ის თანახმად,მდ. ტუგელის სამხრ-
მდებარე მიწები ბურების ხელში გადა-
და. ამ ტერიტორიაზე შეიქმნა ბურების
ხელმწ. ნატალი. 1840 იანვ. ბურებმა
რაგულად განაახლეს ომი და დაამარ-
ეს დინგაანის ჯარები. 1840 თებ. ნატა-
ის სახელმწიფოს შეუერთდა მდ. ტუ-
ლასა და ბლეკუმფოლოზს შორის მდება-
მიწები.

ბლისელებისა და სიქების ომები,
ბლისის ოსტინდოეთის კომპანიის დამპ-
ობლური ომები 1845—46 და 1848-49
ქების სახელმწიფოს წინააღმდეგ პენ-
ბში (ინდოეთი). სასაზღვრო კონფლიქ-
ს პროვოცირებით ინგლისელებმა აიძუ-
ეს სიქები 1845 დეკ. დაეწყოთ საომარი
ქმედება. პირველ ი. და ს. ო-ში
ქებმა წარმატება მოიპოვეს მუდკისა (18
ბ.) და ფირუზშაჰრის (21 დეკ.) ბრძო-
ებში, მაგრამ 1846 წ. 10 თებ. დამარ-
დნენ სობრაონის ბრძოლაში. პირველი
ის შემდეგ კოლონიზატორებმა პენჯაბში
რმალურად დატოვეს დამოუკიდებელი
ელმწიფო. მაგრამ სიქები იძულებული
ხდნენ კომპანიის მოკავშირე გულაბ
ნგჰ რაჯასათვის მიეცათ ქაშმირი,
ტინდოეთის კომპანიისათვის — ჯალან-
რის მხარე, აგრეთვე დათანხმდნენ მიე-
ათ ინგლ. რეზიდენტი ლაჰორში. ინგლ.
ტინდ. კომპანიამ შეამცირა პენჯაბის
რის რაოდენობა, დააწესა კონტროლი
ელმწიფოს საგადასახადო უწყებაზე და
ჯ. ამის გამო 1848 აპრ. სიქების არმიაში
ეთქა ანტიინგლ. აჯანყებამ. ოსტინდ.
მპანიამ მეამბოხეებთან ბრძოლის საბა-
ო 1848 ნოემბ. დაიწყო მეორე ი. და
ო. 1849 იანვ. დამლევს ინგლისელებმა
ატაცეს მულტანი. 21 თებ. გუჯარათთან
ძოლაში სიქების ჯარი საბოლოოდ და-
რცხდა და ოსტინდ. კომპანიამ მოახდინა
ენჯაბის ანექსია.

**ბლისელების ომი ზულუსებთან
79,** ინგლისელი კოლონიზატორების და-
ჯრობლური ომი ზულუსების წინააღმდეგ.
79 წ. 11 იანვ. ინგლ. ჯარები ზულულენ-
ი შეიჭრნენ. 22 იანვ. იზანდლვანთან
ენი გაანადგურეს ზულუსებმა უმაღლესი
ლადის კეტჩვაიოს მეთაურობით. ინგლ.
-ათასიანმა არმიამ მხოლოდ ივნისში
ძლო ზულულენდის შიდა რ-ნებში შელ-
ვა. 1879 წ. 4 ივლ. ზულუსები დამარ-
დნენ ულუნდისთან. 1887 ინგლისმა მი-
აცა ზულულენდი და ოფიციალურად
ვის სამფლობელოდ გამოაცხადა.

**ინგლის-ერაყის ხელშეკრულებები და
შეთანხმებები 1922, 1926, 1930,
1948, 1955.** 1922 ხელშეკრულე-
ბა დაიდო 10 ოქტ., ბაღდადში, 20 წლის
ვადით, რატიფიცირებულ იქნა 1924. ფაქ-
ტობრივად გაფორმდა ინგლ. მანდატი
ერაყზე. ერაყმა დაკარგა საგარეო პოლიტ.
დამოუკიდებლად წარმართვის უფლება.
შეიარაღებულ ძალებზე, ფინანსებზე, ქვეყ-
ნის მთელ პოლიტ. და ეკონ. ცხოვრებაზე
კონტროლი გადავიდა ინგლ. უმაღლესი კო-
მისრის ხელში. ერაყში ხელშეკრულებისა-
დმი ძლიერი ოპოზიციის გამო ინგლისი
იძულებული გახდა 4 წლამდე შეემცირე-
ბინა ხელშეკრულების ვადა (1923 შეთან-
ხმებით). 1926 ხელშეკრულება
(ბაღდადი, 13 იანვ.) აგრძელებდა 1922
ი.-ე. ხ-ის ვადას 1950-მდე, თუ ამ დრომ-
დე ერაყი არ გახდებოდა ერთა ლიგის წევ-
რი (ეს უკანასკნელი ავტომატურად ათა-
ვისუფლებდა ერაყს ინგლ. მანდატისაგან).
1930 ხელშეკრულება (ლონ-
დონი, 30 ივნ.) დაიდო 25 წლით, შეცვა-
ლა 1922 და 1926 ი.-ე. ხ. ძალაში შევიდა
ერაყის ერთა ლიგაში მიღების (1932) შემ-
დეგ. ითვალისწინებდა ინგლ. მანდატის
გაუქმებას. ოფიციალურად აღიარებდა ერა-
ყის დამოუკიდებლობას. ხელშეკრულებით
არსებითად ძალაში რჩებოდა ქვეყნის და-
მოკიდებული მდგომარეობა საგარეო პო-
ლიტიკისა და სამხ. ურთიერთობის სფერო-
ში. ინგლისს უფლება ეძლეოდა ერაყში
ჰქონოდა 2 სამხ. ბაზა. 1948 ხელ-
შეკრულება (პორტსმუთი, 15 იანვ.)
ითვალისწინებდა „ერთობლივი თავდაცვის
კომისიის" შექმნას; ერაყის ტერიტ.
რჩებოდა ინგლ. შეიარაღებული ძალების
ბაზად. სახ. აჯანყების შემდეგ (1948 იანვ.)
პორტსმუთის ხელშეკრულება უარყო ერა-
ყის პარლამენტმა. 1955 შეთანხ-
მება (ბაღდადი, 4 აპრ.) ხელმოწერილ
იქნა ინგლისის ბაღდადის პაქტში შესვ-
ლასთან ერთად, შეცვალა 1930 ი.-ე. ხ.
ინგლისმა შეინარჩუნა ერაყის არმიაზე,
სამხ.-საჰაერო ბაზებსა და სტრატეგიულ
გზებზე კონტროლი. ერაყში დარჩა ინგლ.
სამხ.-საჰაერო ძალები. ერაყის 1958 რევო-
ლუციის შემდეგ ერაყის რესპ. მთავრობა
ბაღდადის პაქტიდან გამოვიდა და 1959 წ.
24 მარტს გააუქმა 1955 შეთანხმება.

ინგლისი (England, გვიანდ. ლათ. Anglia), დიდი ბრიტანეთის ადმ.-პოლიტი-
კური ნაწილი, მისი ისტ. ბირთვი. სახელი
(Anglia) ეწოდა გერმ. ტომის ანგლებისა-
გან, რ-ებიც V—VI სს-ში გადმოსახლდნენ
ბრიტ. ტერიტორიაზე. ფართო გაგებით
ი-ს ხშირად უწოდებენ მთელ დიდი ბრიტ.
და ჩრდ. ირლ. შეერთებულ სამეფოს. ფართ.
130,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 46,4 მლნ. კაცი
(1974). მთავარი ქალაქი — ლონდონი.
ი-ში 39 საგრაფო, 6 მეტროპოლიტენ-
ის საგრაფო და ერთი განსაკუთრებული
ადმ. ერთეულია (დიდი ლონდონი). ი-ზე
მოდის ქვეყნის მრეწველობაში დასაქმე-
ბულთა დაახლ. 85%, თითქმის მთელი მო-
პოვებული რკინის მადანი და ქვანახშირის
2/3. ი-ის ხვ. წ. (დასაქმებულთა რაოდე-
ნობით) დიდი ბრიტ. მოპოვებით მრეწვე-
ლობაში 75%-ს შეადგენს, დამუშავებით
მრეწველობაში — 84%-ს. ი-ში არის ატო-
მური მრეწვ. მთავარი სამეცნ.-კვლ. ცენტ-
რები, ატომური ელექტროსადგურების დი-
დი ნაწილი. მრეწვ. განვითარებით გამო-
ირჩევა დიდი ლონდონი, დას. მიდლენდი
(მთავარი ცენტრებია ბირმინგემი, კოვენტ-
რი), სამხრ.-აღმ. ლანკაშირი (მანჩესტე-
რი), მერზისაიდი (ლივერპული) და სხვ.

ი-ის წილად მოდის დიდი ბრიტ. სახ-
ნავი მიწების 2/3, ხორბლის, შაქრის ჭარ-
ხლისა და ქერის ნათესების 9/10, მსხვ. რქ.
საქონლის სულადობის 2/3, ცხვრისა და
ფრინველის — 1/2.

ი-ში ხშირი სატრანსპ. ქსელია. მის
ნავსადგურებზე (ლონდონი, ლივერპული,
მანჩესტერი და სხვ.) მოდის დიდი ბრიტ.
ნავსადგურების ტვირთბრუნვის 4/5-ზე მე-
ტი.

ი-ის ბუნების, ისტ., ეკონ. და *კულტ.*
შესახებ იხ. სტ. *დიდი ბრიტანეთი.*

ინგლის-იაპონიის კავშირი, სამხედ-
რო-პოლიტიკური კავშირი ინგლისსა და
იაპონიას შორის (1902 წ. 30 იანვ.) რუ-
სეთის წინააღმდეგ, აგრეთვე მოკავშირე-
ების ბატონობის განსამტკიცებლად ჩინე-
თსა და კორეაში. ხელშეკრულების თანახ-
მად, თუ მოკავშირე მხოლოდ ერთ სახელ-
მწიფოსთან იომებდა, მეორე მოკავშირე
ნეიტრალიტეტს დაიცავდა, ხოლო თუ მო-
კავშირე ერთზე მეტ სახელმწიფოსთან იო-
მებდა, მაშინ მეორე მოკავშირე მას სამხ.
დახმარებას გაუწევდა. ხელშეკრულება უზ-
რუნველყოფდა ინგლ. „სპეციალური ინ-
ტერესების" დაცვას ჩინეთში, ხოლო იაპო-
ნიისას — კორეასა და ჩინეთში, აგრეთვე
მოკავშირეთა ჩარევის უფლებას, თუ მათ
„სპეციალურ ინტერესებს" რაიმე საშიშ-
როება დაემუქრებოდა გარედან ამ ქვეყნის
შიგნით „უწესრიგობათა" გამო. იაპონიამ
გამოიყენა ი.-ი. კ., ისარგებლა აშშ-ის
მხარდაჭერით და 1904—05 გააჩაღა რუს.-
იაპ. ომი (ი.-ი. კ. ორჯერ განახლდა —
1905 წ. 12 აგვ. და 1911 წ. 13 ივლ.). *ვა-
შინგტონის კონფერენციაზე* (1921—22)
აშშ-მა მიაღწია ი.-ი. კ-ის ლიკვიდაციას
და შეცვალა იგი 4 სახელმწიფოს (ინგლი-
სი, აშშ, საფრანგეთი და იაპონია) 1921
წ. 13 დეკ. შეთანხმებით.

ინგლისისათვის ბრძოლა 1940—41,
ამ სახელწოდებით შევიდა II მსოფლიო
ომის (1939—45) ისტორიაში საჰაერო
ბრძოლა დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე
(1940 აგვ. — 1941 მაისი). ფაშისტური
გერმ. მთავრობა სსრკ-თან მომავალ ომში
ზურგის უსაფრთხოებისათვის დიდ ბრი-
ტანეთთან ზავის დადებას ცდილობდა,
მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია.
მაშინ, 1940 წ. 16 ივლ., ჰიტლერმა გასცა
დირექტივა № 16 ინგლისის წინააღმდეგ
ოპერაცია „ზღვის ლომის" მომზადების
შესახებ, 1 აგვ. კი — დირექტივა № 17,
რ-იც ითვალისწინებდა ფართო საჰაერო
ომს ინგლისის წინააღმდეგ. ჰიტლერის
მიზანი იყო ინგლ. ავიაციის განადგურე-
ბით, ეკონ. ნგრევითა და მოსახლეობის
დაშინებით აეძულებინა დიდი ბრიტანეთი
კაპიტულაცია მოეხდინა. ამ ოპერაციისა-
თვის გამოიყო 3 საჰაერო ფლოტი (2800
თვითმფრინავი, მ. შ. 1600 ბომბდამშენი).
ინგლისს საჰაერო დაცვისათვის ჰყავდა 4
ავიაჯგუფი (704 თვითმფრინავი, მ. შ.
620 გამანადგურებელი, 289 რეზერვში).
1940 წ. 12 და 13 აგვ. გერმ. ავიაციამ
მოაწყო პირველი მასირებული თავდასხ-
მები ინგლ. აეროდრომებზე. 13 აგვ. გერ-
მანელებმა განახორციელეს 1485 თვით-
მფრინავ-გაფრენა (ინგლისელებმა — 727),
15 აგვ. — 1786 (ინგლისელებმა — 975).
ამ ბრძოლებში გამომჟღავნდა ინგლ. ავია-
ციის უპირატესობა. 24 აგვ-დან 6 სექტ-
მდე გერმ. ავიაცია დღეში 1000 თვით-
მფრინავ-გაფრენას ახდენდა. მათი მთავა-
რი დარტყმები ინგლ. აეროდრომების წი-
ნააღმდეგ იყო მიმართული. 7 სექტ-იდან
გერმანელებმა დაიწყეს ინგლ. დიდი ქ-ების,
განსაკუთრებით ლონდონის, დაბომბვა.
1940 აგვ.-ოქტ. ინგლისელებმა ჩამო-
აგდეს გერმანელთა 1103 თვითმფრინავი,
(თავად დაკარგეს 642). 15 ნოემბ., ღამით,
გერმანელებმა თითქმის მთლიანად დაან-
გრიეს ქ. კოვენტრი. 1940—41 მაისამდე
გერმ. ავიაციამ ინგლისში დაახლ. 59 ათ.
ტ ბომბი ჩამოაგდო. თავდასხმების შედე-
გად დაიღუპა 43 ათ-ზე მეტი კაცი, მძიმედ
დაიჭრა 51 ათასი. ზოგიერთი ქალაქი ძლი-
ერ დაინგრა, მაგრამ ფაშისტურმა გერმა-
ნიამ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს — გამო-
ეყვანა დიდი ბრიტანეთი ომიდან.

ინგლისის ბანკი (Bank of England),
დიდი ბრიტანეთის ცენტრალური საემი-
სიო ბანკი. დაარსდა 1694 როგორც კერძო
საკციო ბანკი. ქვეყნის დიდ ქალაქებში

აქვს 8 განყ-ბა. მისი ფუნქციებია სახელმწ. ვალდებულებებით გარანტირებული ფულის ნიშნების ემისია, ინგლისისა და უცხოური ბანკების სარეზერვო საშუალებათა შენახვა, ეროვნ. ვალუტის კურსის უზრუნველყოფა და სხვ. 1946 გამოცხადდა ი. ბ-ის ნაციონალიზაცია. II მსოფლიო ომის შემდეგ (1949, 1967) მთავრობა იძულებული იყო ორჯერ ჩაეტარებია გირვანქა სტერლინგის ფორმალური დევალვაცია (საერთო ჯამში 45%-ით). „ფაქტობრივი" დევალვაცია ინგლ. ვალუტისა, რ-ის კურსი 1972 იულისიდან მერყეობს, 1972 იანვრიდან 1976 სექტ-მდე 44% შეადგენდა. 1976 თებ-თვის ბანკის ბალანსის საერთო ჯამი უდრიდა 7,75 მლრდ. გირვანქა სტერლინგს, ფულის ემისია — 6,0 მლრდ. გირვანქა სტერლინგს.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია XVII ს., ევროპული მასშტაბის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რ-მაც დაამხო ფეოდალურ-აბსოლუტისტური სისტემა, უზრუნველყო კაპიტალიზმის დამკვიდრება და ბურჟ. წყობილების დამყარება ინგლისში. XVII ს. შუა წლებში ინგლისში დიდ წარმატებას მიაღწია ვაჭრობა-მრეწველობამ. ეკონ. პროგრესის საფუძველი კაპიტალ. მანუფაქტურა გახდა. მაგრამ სამრეწვ. მონოპოლიების სისტემა, რ-საც სტიუარტების დინასტიის მეფეები ნერგავდნენ, აგრეთვე წარმოების ამჭრელი რეგლამენტაცია ზღუდავდა მანუფ. წარმოების განვითარებას. ამიტომ თავისუფალი კონკურენციის და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპი ბურჟ. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა გახდა. სოფლად კაპიტალიზმის ელემენტების შეღწევამ განაპირობა კაპიტალისტ-არენდატორების კლასისა და სოფლის მუშა-მოჯამაგირეების გაჩენა. ინგლისის თავადაზნაურობა ორ ჯგუფად გაითიშა. ერთი მათგანი „ახალი თავადაზნაურობა" ანუ *ჯენტრი* — ბურჟ. მოკავშირე გახდა. საფრთხე შეექმნა საგლეხო მიწათმფლობელობის არსებობას; *კოპიჰოლდის* გადაქცევა ფრიჰოლდად იყო ინგლისში გლეხობის, როგორც კლასის, შემდგომი არსებობის ძირითადი პირობა. განახლებისათვის მებრძოლი ძალების ინტერესებს გამოხატავდა პარლამენტი. ი. ბ. რ-ის კლასობრივი და პოლიტ. ამოცანები რელიგ.-პურიტანულ სამოსში იყო გახვეული; აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ შეტევით დაიწყო. „მოკავშირე კლასებმა" მას თავისი იდეოლოგია—პურიტანიზმი (ინდეპენდენტობისა და პრესვიტერიანობის სახით) დაუპირისპირეს. 1629 ჩარლზ I-მა უპარლამენტო მმართველობა დააწესა, რაც ინგლისში აბსოლუტიზმის კრიზისის მომასწავებელი იყო. მეფე ეკონ. და რელიგ. დესპოტიზმის პოლიტიკას ატარებდა გრაფ *სტრაფორდის* და არქიეპისკოპოს ლოდის მხარდაჭერით. 1639 ინგლ. აბსოლუტიზმმა მარცხი განიცადა სამეფო დესპოტიზმის წინააღმდეგ აჯანყებულ შოტლანდიასთან ომში. ამ დამარცხებამ და XVII ს. 20—30-იან წლებში სოფლისა და ქალაქის მოსახლ. აჯანყებებმა დააჩქარეს რევოლუცია. 1640 მაისში ხანმოკლე პარლამენტმა მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა. ახ., ე. წ. ხანგრძლივი პარლამენტიც (1640 წ. 3 ნოემბ.—1653 წ. 20 აპრ.), რ-ითაც დაიწყო ი. ბ. რ., ოპოზიციური აღმოჩნდა. ხანგრძლივმა პარლამენტმა გააუქმა აბსოლუტიზმის დასაყრდენი — „უმაღლესი კომისია" და *„ვარსკვლავის პალატა"*, აგრეთვე მონოპოლიები, პრივილეგიები, მეფეს აეკრძალა გადასახადების აკრეფა პარლამენტის ნებართვის გარეშე, აიკრძალა პარლამენტის დათხოვნა მისივე თანხმობის გარეშე. სამართალში მისცეს და სიკვდილით დასჯეს სტრაფორდი და ლოდი, დაისვა საკითხი ანგლიკანური ეკლესიის და მისი ეპისკოპალური სისტემის გაუქმების შესახებ. 1641 წ. 22 ნოემბ. პარლამენტმა მიიღო ცნობილი დოკუმენტი „დიდი რემონსტრაცია", რ-შიც ჩამოყალიბებული იყო ბურჟუაზიის ძირითადი მოთხოვნები. 1641-იდან ფაქტობრივად ხელისუფლება „ხანგრძლივი პარლამენტის" ხელში იყო. 1642 წ. 22 აგვ. მეფემ პარლამენტს ომი გამოუცხადა. დაიწყო I სამოქალაქო ომი. მეფის მომხრეები „კავალრების" სახელით იცნენ ცნობილი, პარლამენტისა — „მრგვალთავიანების". პარლამენტის ზომიერ უმრავლესობას — პრესვიტერიანებს — ეშინოდათ რევ. გალრმავებისა და მეფესთან შერიგებას ცდილობდნენ. ამან განაპირობა პარლამენტის არმიის დამარცხება (ეჯჰილი, 1642 წ. 23 ოქტ.). ამ კრიტ. მომენტში დაიწყო გლეხებისა და ქალაქის პლებეური მასების ფართო მოძრაობა, რ-ის ანარეკლს პარლამენტსა და არმიაში წარმოადგენდა ინდეპენდენტური მოძრაობა ო. *კრომველის* მეთაურობით. კრომველმა გაატარა არმიის რეფორმა, შექმნა ე. წ. „ახალი ნიმუშის არმია". 1645 წ. 14 ივნ. ნეიზბისთან მეფე სასტიკად დამარცხდა. სამოქალაქო ომი 1646 დამდეგს დამთავრდა პარლამენტის გამარჯვებით. მეფე ტყვედ ჩაბარდა პარლამენტის მოკავშირეებს — შოტლანდიელებს, რ-ებმაც იგი 1647 წ. 1 თებ. პარლამენტს გადასცეს.

მსხვილი ბურჟუაზია, ჯენტრი და მათი ინტერესების გამომხატველი პრესვიტერიანები რევოლუციას დამთავრებულად თვლიდნენ. მათი მიზანი მიღწეული იყო — მეფე დამარცხდა, მთელი ძალაუფლება გადაეცა პარლამენტს. 1646 წ. 24 თებ. ორდონანსმა გააუქმა რაინდული მფლობელობა და მისგან გაბომდინარე ყველა სამეფო ვალდებულება. გლეხობის ვალდებულებანი ფეოდალთა მიმართ (კოპიჰოლდი) შეუცვლელი დარჩა. გაიზარდა გადასახადები და სხვ. ხალხის მასებმა სცადეს რევოლუცია თავის სასარგებლოდ წარემართათ. ინდეპენდენტების პარტიას გამოეყო *ლეველერების* (გამთანაბრებლების) ბურჟ.-რადიკალური დამოუკიდებელი პარტია ჯ. *ლილბერნის* მეთაურობით. ხალხის რევ. აქტიურობის ჩასახშობად პარლამენტმა განიზრახა არმიის დაშლა (1647 მაისი). დაიწყო კონფლიქტი პარლამენტსა და არმიას შორის. პოლიტ. იზოლაციის საფრთხემ აიძულა ო. კრომველი (რ-იც თავდაპირველად პარლამენტისადმი არმიის დამორჩილების მომხრე იყო) სათავეში ჩასდგომოდა არმიის მოძრაობას, შეეჩერებინა მისი რევ. განწყობილების ზრდა, დაემორჩილებინა იგი ინდეპენდენტთა კონტროლისადმი. 1647 ივნ. არმიამ მეფე ტყვედ ჩაიგდო, გაილაშქრა ლონდონზე, გაწმინდა პარლამენტი „ზომიერი" პრესვიტერიანებისაგან. 1648 მეფემ თავი დაალწია ტყვეობას და ახ. II სამოქალაქო ომი წამოიწყო. ინდეპენდენტები და ლეველერები დროებით დაზავდნენ. 1648 წ. 17—19 აგვ. პრესტონთან ბრძოლაში კრომველმა მეფე სასტიკად დაამარცხა. 1649 წ. 30 იანვ. ჩარლზ I, როგორც „მოღალატე და ტირანი", სიკვდილით დასაჯეს. 1649 წ. 19 მაისს ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა, ხელისუფლება გადავიდა ერთპალატიანი პარლამენტის ხელში (ლორდთა პალატა გაუქმდა), ფაქტობრივად, რესპუბლიკა წარმოადგენდა ინდეპენდენტურ ოლიგარქიას. ბურჟუაზიამ და „ახალმა თავადაზნაურობამ" ჩალის ფასად შეიძინეს მეფის, ეკლესიისა და არისტოკრატიისათვის ჩამორთმეული ქონება. 1649 ლეველერულ მოძრაობას ბოლო მოეღო. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ყველას, ვინც ოდნავ მაინც ხელყოფდა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, განსაკუთრებით შეუტიეს *დიგერებს*. ინდეპენდენტური რესპ. კლასობრივ-ბურჟ. ხასიათი გამოვლინდა მის საგარეო პოლიტიკაშიც, რ-იც ახ. დაპყრობებს ითვალისწინებდა. ამის მკაფიო მაგალითია ო. კრომველის სამხ. ექსპედიცია ირლანდიაში (1649—50) და ირლ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის სასტიკი ჩახშობა. 1652 კრომველმა ინგლისს შეუერთა შოტლანდია და ს
მართლიანად დაიმსახურა დიდი ბრი
კოლონ. იმპერიის ერთ-ერთი ფუძემდე
ლის სახელი.

1653 ო. კრომველმა ხელთ იგდო ძ
ლაუფლება. ინგლისში დამყარდა კრო
ველის სამხ. დიქტატურა—პროტექტორატ
(1653—59), რ-იც ფაქტობრივად ბურჟუ
ზიისა და ახ. თავადაზნაურობის კლასო
რივ ბატონობას მოასწავებდა. პროტექტო
რატის კონსტიტუციამ (ე. წ. „მმართვ
ლობის იარაღი") კრომველს განუსაზღ
რელი უფლებები მიანიჭა. ფაქტობრივა
იგი „უგვირგვინო მეფე" იყო და მემკვიდ
რის დანიშვნის უფლებაც კი ჰქონდ
კრომველმა გარეკა პროტექტორატის
(1654—55) და II (1656—58) პარლამ
ტები, 1657 იგი დაიანსმდა ლორდთა პ
ლატის მოწვევას, ებრძოდა როგორც რო
ალისტებს, ისე ყოველგვარ სახ.-დემოკ
მოძრაობას, იცავდა კერძო საკუთრებას
სხვ. საგარეო პოლიტიკაში განაგრძობ
ექსპანსიონისტურ კურსს. ომი გამოუცხ
ესპანეთს და შოაწყო ექსპედიცია მისი ვ
ტინდ. სამფლობელოების ხელში ჩასაგ
ბად („იამაიკის ექსპედიცია", 1655 — 57
კრომველის სიკვდილის (1658 წ. 3 სექტ
შემდეგ მისმა რეჟიმმა მარცხი განიცად
1660 აღადგინეს სტიუარტების დინასტი
ახ. მეფე ჩარლზ II იმ პირობით დასვ
ტატზე, რომ იგი ძალაში დატოვებ
რევ. ძირითად მონაპოვარს, რ-იც უზრუ
ველყოფდა ბურჟ. და ახ. თავადაზნაურ
ბის პოლიტ. და ეკონ. ბატონობას. 1688
89 ინგლისში მოხდა გადატრიალება (ი
*„უსისხლო ანუ სახელოვანი რევოლ
ცია"*), სტიუარტები საბოლოოდ გადაა
ნეს. ახ. მონარქიაში დამყარდა კლასო
რივ-პოლიტ. კომპრომისი ბურჟუაზია
და მიწათმფლობელ არისტოკრატიას შ
რის. *ბ. კილურაძ*

ინგლის-მაისურის ომები, XVIII
60—90-იან წლებში ინგლისის ოსტინდო
თის კომპანიის ომები მაისურის სამთავ
როს (ინდოეთი) მისატაცებლად. პ ი რ
ვ ე ლ ი ი.-მ. ო. (1767—69) დაიწყო კო
პანიის ჯარის მაისურში შეჭრით. მადრ
სის 1769 ზავით ორივე მხარემ უარი თქ
ერთმანეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე
ხელი მოაწერეს შეთანხმებას თავდაცვ
კავშირზე. მ ე ო რ ე ი.-მ. ო-ში (1780
84) მაისურის მოკავშირეები იყვნენ ჰა
დარაბადის სამთავრო და მარათები. მა
სურის არმიის (მეთაური ტიპუ სულთანი
წარმატებები გააქარწყლა მისი მოკავშ
რე საფრანგეთის ღალატმა, რ-მაც 178
ვერსალის ზავი დადო ინგლისთან. ომ
დასრულდა მანგალურუს ზავით. მოწინ
აღმდეგეებმა დაუბრუნეს ერთმანეთს დ
პყრობილი ტერიტ. და ტყვეები. მ ე ს
მ ე ი.-მ. ო-ში (1790—92) ინგლისის მხ
რეზე გადავიდა ჰაიდარაბადისა და მარა
თების ჯარი. ინგლისელთა ჯარი გენ
გუბერნატორ კორნუოლისის სარდლობი
დაიმრა მაისურის დედაქალაქ სერინგაპატ
მისაკენ. ტიპუ სულთანი იძულებული გახ
1792 დაედო სერინგაპატამის ზავი და სა
თავროს თითქმის ნახევარი ტერიტორ
გადაეცა მოკავშირეებისათვის, აგრეთ
დადაებადა კონტრიბუცია. მ ე ო თ ხ ე ი
მ. ო-ის დროს (1799) სერინგაპატამი ი
რიშით იქნა აღებული; ტიპუ სულთან
მოკლეს. მაისური კომპანიის ვასალურ
სამთავრო გახდა.

ინგლის-მარათის ომები, ინგლისის ო
ტინდოეთის კომპანიის დამპყრობლურ
ომები მარათის სამთავროების წინააღმდ
ინდოეთში. პ ი რ ვ ე ლ ი ი.-მ. ო. (1775
82) დაიწყო ინგლ. რაზმმა, რ-იც ინგლ
მომხრე რაგჰუნათ რაოს უჭერდა მხარს ა
ზვის ტახტისათვის ბრძოლაში. ინგლისე
ლებმა ისარგებლეს მარათის სამთავროებ
შორის შინაგანი წინააღმდეგობით, კავშ
რი დაამყარეს გვალიორისა და ნაგპურ
გამგებლებთან და 1782 წ. 17 მაისს მარ
თებს თავს მოახვიეს სალბაის ხელშეკრულ

, რ-ის თანახმად კომპანიამ მიიღო კ. ელსეტი და ბასეინის მხარე, მაგრამ უარი ქვა რაგჰუნათ რაოს მხარდაჭერაზე. მარა ების მიერ 1802 ბასეინის ხელშეკრულე ს უარყოფა, რ-ითაც მარათები ფაქტობ ივად კარგავდნენ დამოუკიდებლობას, მ ე რ ე ი.-მ. ო-ის (1803—05) საბაბი გახ ა. 1805 ინგლისელებმა სძლიეს მარა ებს. მათ დაკარგეს ტერიტ. ნაწილი ერძოდ, დელი) და თავი აღიარეს კომპა ის ვასალად. მ ე ს ა მ ე ი.-მ. ო-ში 817—18) მარათის ზოგიერთი მთავარი ორძოლველად დაემორჩილა ინგლისს, ჩჩები კი 1818 დამლევისათვის დაამარ ეს. ომის შედეგად მარათის ტერიტ. მნი ნელოვანი ნაწილი კომპანიამ დაიპყრო, რათის ვასალურ მთავრებს მცირე სამფ ობელოებიღა დარჩათ.

ინგლის-ოსმალეთის ხელშეკრულებე ი 1799, 1809, 1878. 1 7 9 9 ხ ე ლ ე კ რ უ ლ ე ბ ა მ (სტამბოლი, 5 იანვ.). აფორმა ინგლისის შესვლა რუსეთ ამალეთის კავშირში და ოსმალეთისა — ორე ანტიფრანგ. კოალიციაში. ითვალი ინებდა ერთობლივი ოპერაციების ჩატა ებას საფრანგეთის წინააღმდეგ ეგვიპტე ი და ხმელთაშუა ზღვაზე ეგვ. ექსპედი ის (1798—1801) დროს. 1 8 0 9 ხ ე ლ ე კ რ უ ლ ე ბ ა (ე. წ. დარდანელის ავი) ხელმოწერილ იქნა 5 იანვ. ინგლ. მხ. ხომალდზე. ზავით დასრულდა 1807— ინგლ.-ოსმ. ომი. ხელშეკრულება სულ ანს. ავალდებულებდა არ გაეტარებინა ავი ზღვის სრუტეებში არც ერთი უცხო ელმწიფოს სამხ ხომალდი, რაც გან კუთრებით არახელსაყრელი იყო რუსე ისათვის. 1 8 7 8 ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ა — საიდუმლო ხელშეკრულება „თავდა ვითი კავშირის შესახებ" (ე. წ. კვიპრო ის კონვენცია) — ხელმოწერილ იქნა 4 ვნ. სტამბოლში, *ბერლინის კონგრესის* 1878) გახსნის წინ. ინგლისი კისრულობ ა „იარაღის ძალით" დახმარებოდა სულ ანს, თუ რუსეთი ოსმალეთთან 1877—78 მის შედეგად მიღებული ბათუმის, არდა ანისა და ყარსის გარდა შეეცდებოდა ახ. ერიტ. შეერთებას მცირე აზიაში. თავის ერივ. ოსმალეთმა ინგლისს კ. კვიპროს დაკავების თანხმობა მისცა. ხელშეკ ულება გააუქმა ინგლისმა 1914 წ. 5 ნო ემბ. კვიპროსის ანექსიასთან დაკავშირე ით.

ინგლის-საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულება 1942 კ ა ვ შ ი რ ი ს ე ს ა ხ ე ბ (თეირანი, 29 იანვ.), ხელ ეკრულებას წინ უძღოდა საბჭოთა და ინგლისის ჯარების შეყვანა ირანის ტერი ორიაზე 1941 აგვ.-სექტ-ში იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ფაშისტური გერმა ნისათვის გამოეყენებინა ირანის ტერი ორია და რესურსები სსრკ-ისა და ინგლი ს წინააღმდეგ ომში. ხელშეკრულების ანახმად, სსრკ და ინგლისი კისრულობ ენ ირან. ტერიტ. მთლიანობის, სუვერე ნიტეტისა და პოლიტ. დამოუკიდებლობის ელშეუხებლობას (მ. 1); ირანის დაცვას ერმანიის ან სხვა რომელიმე სახელმწი ოს აგრესიისაგან (მ. 3). ამ მიზნით მო ყვმირე სახელმწიფოებს უფლება ეძლეო ათ ირანის ტერიტორიაზე ჰყოლოდათ ხმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები ; რაოდენობით, რაც მათ მიაჩნდათ საჭი ოდ (მ. 4). თავის მხრივ ირანი კისრულო და არ დაემყარებინა ი.-ს. კ.-ი. ხ-თვის ეუთავსებელი ურთიერთობანი. მე-5 მუხ ის თანახმად, ინგლისი და სსრკ კისრუ ობდნენ გაეყვანათ თავისი ჯარები ირა ს ტერიტორიიდან არა უგვიანეს 6 თვისა კავშირე სახელმწიფოებსა და გერმანიას ორის ყოველგვარი საომარი მოქმედების ეწყვეტის (დაზავებით ან დაზავებებით) ემდეგ (ჯარები გაიყვანეს 1945 დასას ულს — 1946 მაისში).

ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრე ია ეგვიპტის წინააღმდეგ (1956), ზნად ისახავდა ინგლისისა და საფრან გეთის ბატონობის განმტკიცებას არაბულ აღმოსავლეთში, სუეცის არხის მიტაცებას. დაიწყო 1956 წ. 29 ოქტ. ისრაელის ჯარ ის შეჭრით ეგვ. ტერიტორიაზე (სინის ნ.-კ-ზე); 31 ოქტ. ინგლ. და საფრ. შეიარა ღებულმა ძალებმა დაიწყეს ეგვ. ბარბაროსული დაბომბვა და 5 ნოემბ. გადასხეს დე სანტი პორტ-საიდის რ-ნში. ისრაელი ესწ რაფოდა დაესუსტებინა მეზობელი არაბ. ქვეყნები, მიეტაცებინა ეგვ. ტერიტ. ნა წილი და აეძულებინა ეგვიპტე და სხვ. არაბ. სახელმწიფოები შერიგებოდნენ ის რაელის ანექსიონისტურ პოლიტიკას. აგ რესიამ მკვეთრად გაამწვავა საერთაშ. მდგომარეობა, გამოიწვია მშვიდობისმოყ ვარე ხალხთა დიდი აღშფოთება. აგრესიის საკითხი რამდენჯერმე განიხილეს გაეროს გენ. ასამბლეის საგანგებო და XI სესიებ ზე, სადაც მიიღეს რეზოლუციები (1956 წ. 2, 7, 24 ნოემბ.) ცეცხლის შეწყვეტისა და ინგლ.-საფრ.-ისრაელის შეიარაღებუ ლი ძალების ეგვიპტიდან გაყვანის შესა ხებ. 1956 წ. 5 ნოემბ. სსრკ მთავრობამ გა აფრთხილა ინგლ., საფრ. და ისრაელის მთავრობები, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ძალის გამოყენებით გაანადგუროს აგრე სორები და აღადგინოს მშვიდობა აღმოსავ ლეთში. 1956 წ. 7 ნოემბ., ღამით, ინგლ.-საფრ.-ისრაელის აგრესორები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ საომარი მოქმედებანი ეგვ. ტერიტორიაზე. ეგვ. ხალხის გმირულ მა ბრძოლამ, მშვიდობისმოყვარე ძალების გადამწყვეტმა წინააღმდეგობამ საბჭ. კავ შირის მეთაურობით, იმპერიალ. სახელ მწიფოების ცდის ჩაშლამ, გამოეყენებინათ უნგრეთის რეაქციული ამბოხება (1956 ოქტ.-ნოემბ.) სოციალ. ქვეყნების მხრივ ეგვ. მხარდაჭერის შესასუსტებლად, აიძუ ლა ინგლისი და საფრანგეთი 1956 წ. 22 დეკ., ხოლო ისრაელი — 1957 წ. 8 მარტს გაეყვანათ ჯარები ეგვიპტიდან.

აგრესიის პერიოდში აშშ ატარებდა მოჩვენებითი „დაშოშმინების" პოლიტი კას. ახლო აღმოსავლეთში ამერ. მონოპო ლიების პოლიტ. და ეკონ. პოზიციების შერყევის შიშით აშშ-მა ვერ გაბედა აშკა რად დაეჭირა მხარი აგრესორებისათვის და 1956 წ. 2 ნოემბ. გაეროში რეზოლუ ციაც კი შეიტანა, რ-იც გმობდა ინგლ., საფრ. და ისრაელის მოქმედებას ეგვიპ ტეში. ინგლ.-საფრ.-ისრაელის აგრესიის ჩაშლამ ეგვიპტეში ახ. დარტყმა მიაყენა იმპერიალიზმის კოლონ. სისტემას.

ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შეთან ხმება 1915 ს რ უ ტ ე ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, I მსოფლიო ომის (1914—18) დროს დადებული საიდუმლო შეთანხმება, რ-ის მიხედვით, ინგლისი და საფრანგეთი თანა ხმა იყვნენ გერმ. კოალიციაზე გამარჯვების შემდეგ რუს. იმპერიას შეეერთებინა კონს ტანტინოპოლი (სტამბოლი), ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები, აგრეთვე მა თი მიმდებარე თურქ. აზიური და ევრ. ნა წილის ტერიტორია. გაფორმდა შემდეგი დოკუმენტებით: 1. რუს. საგარეო საქმეთა მინისტრის ს. საზონოვის 1915 წ. 4 მარ ტის სამახსოვრო წერილი პეტროგრადში ინგლ. ელჩის ჯ. ბიუკენენისა და საფრ. ელჩის მ. ჟ. პალეოლოგისადმი; 2. 1915 წ. 12 მარტის ბიუკენენის სამახსოვრო წერ ილი საზონოვისადმი; 3. 1915 წ. 22 მარ ტის საზონოვის სამახსოვრო წერილი ბი უკენენისადმი; 4. პეტროგრადში საფრ. საელჩოს 1915 წ. 10 აპრ. ვერბალური ნო ტა რუს. საგარეო საქმეთა სამინისტროსა დმი. შეთანხმება პასუხობდა ინგლ. და საფრ. მთავრობათა მისწრაფებებს — მჭი დროდ დაეკავშირებინათ რუსეთი ანტან ტისათვის, და განპირობებული იყო რუს. თანხმობით „მიეყვანათ ომი საბოლოო გამარჯვებამდე". ხელშეკრულებას რუსე თისათვის პრაქტ. მნიშვნელობა არ ჰქონ ია. ი.-ს.-რ. შ-ს მოჰყვა ინგლ.-საფრ. შე თანხმება თურქ. აზიური ნაწილის გაყო ფაზე (იხ. *საიქს-პიკოს ხელშეკრულება 1916*), რ-საც მალე რუსეთიც შეუერთდა.

პუბლ.: Ключников Ю. В., Сабанин А. В., Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. 2, М., 1926.

ინგლის-საფრანგეთ-ჩინეთის ომი 1856—60, ე. წ. მ ე ო რ ე „ო პ ი უ მ ი ს" ო მ ი, ინგლისისა და საფრანგეთის აგრე სიული ომი ჩინეთის წინააღმდეგ. ინგლისმა ისარგებლა ჩინეთში გაჩაღებული სამო ქალაქო ომით (იხ. *ტაიპინელთა აჯანყე ბა*) და 1856 ოქტ. ქ. გუანჯოუს რ-ნში საომა რი მოქმედება დაიწყო ჩინეთის წინააღმ დეგ. 1857 დასაწყისში მას შეუერთდა საფრ ანგეთი. 1857 დეკ. აოლოს ინგლ.-საფრ. ჯარებმა დაიკავეს გუანჯოუ. 1858 გაზაფ ხულზე ბრძოლის ველმა გადაინაცვლა დედაქალაქის პროვ. ჯილის ტერიტორია ზე. 1858 მაისში ინგლ.-საფრ. არმიამ მი იტაცა ნავსადგური დაგუ და თიანძინსა და პეკინზე შეტევის მუქარით აიძულა ჩინ. მთავრობა ხელი მოეწერა თიანძინის კა ბალურ ხელშეკრულებაზე ინგლისთან და საფრანგეთთან. ერთი წლის შემდეგ ინგ ლისმა და საფრანგეთმა განაახლეს საო მარი მოქმედება. 1860 აგვ. ინგლ.-საფრ. ჯარებმა მიიტაცეს თიანძინი, 1860 ოქტ.— პეკინი, ჩინ. მთავრობას თავს მოახვიეს ახ. კაბალური ხელშეკრულებები: პეკი ნის ინგლ.-ჩინ. ხელშეკრულება (1860) და პეკინის საფრ.-ჩინ. ხელშეკრულება (1860). ი.-ს.-ჩ. ო. 1856—60 მნიშვნე ლოვანი საფეხური იყო ჩინეთის ნახევრად კოლონიად გადაქცევის გზაზე.

ინგლისური ენა, განეკუთვნება ინდოევ როპულ ენათა ოჯახის დას.-გერმანიკულ ენათა ჯგუფს. ი. ე-ზე ლაპარაკობს და ახლ. 200 მლნ. კაცი დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში (ირლანდიურთან ერთად), აშშ-ში, კანადაში (ფრანგულთან ერთად), ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ნაწი ლობრივ აფრიკასა და ინდოეთში. ი. ე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიც. ენაა.

ი. ე-ის განვითარების ისტორიაში ჩვე ულებრივ გამოყოფენ 3 პერიოდს: ძვ. ინგ ლისურს ანუ ანგლოსაქსურს (VII—XI სს.), საშ. ინგლისურს (XII—XV სს.) და ახ. ინგლისურს (XVI-იდან დღემდე). ძვ. ინგლ. ანუ ანგლოსაქსური ენა ბრიტანეთში შევიდა გერმ. ტომების — ანგლების, საქ სებისა და იუტების — შესევების შედეგ ად, რაც, უძველესი გადმოცემის მიხედ ვით, 449 დაიწყო. მანამდე კი ბრიტანეთში გავრცელებული იყო იქ მცხოვრები კელ ტური ტომების — ბრიტებისა და გაელე ბის — მეტყველება. კელტური ძირები დღე საც შენარჩუნებულია გეოგრ. სახელებში.

VIII ს-იდან დაიწყო ბრიტანეთში სკანდ. ტომების შესევა, 1016 კი იგი დანიის მეფე კნუდს დაემორჩილა. დანიელთა ბა ტონობა ინგლისში 1042-მდე გაგრძელდა, შემდეგ კი მმართველობა ისევ ანგლოსაქ სებმა დაიბრუნეს. სკანდ. ენის გავლენამ თავი იჩინა ძირითადად ი. ე-ის ლექსიკა ში, ჩრდ. დიალექტებში კი ფონეტ. ცვლი ლებებიც გამოიწვია. 1066 ინგლისი ნორ მანებმა დაიმორჩილეს. დამპყრობელთა ენა — ფრანგული — გახდა მმართველი ფე ნების ოფიც. ენა. მხოლოდ XIV ს-ში გან დევნა სახლოოდ ინგლისურმა ფრანგ. ენა. ხანგრძლივი ორენოვნობის შედეგად ინგლისურში ფრანგ. სიტყვები და ზოგი სიტყვაწარმოებითი ელემენტიც კი დამკვი დრდა. მნიშვნელოვანი ცვლილება განი ცადა ი. ე-ის ფონეტიკამ და მორფოლო გიამ.

ნორმანების ბატონობის პერიოდში შე სუსტდა მანამდე დომინანტური უესექსური დიალექტის პოზიციები, იგი სხვა დია ლექტებს გაუთანაბრდა. XIII—XIV სს-ში კი განსაკუთრებული ადგილი დაიკავა დედაქალაქის — ლონდონის — მეტყველე ბამ, რ-შიც აღმ.-ცენტრ. დიალექტურმა ფორმებმა გაიმარჯვა. ბეჭდვის შემოღებამ (1476) კიდევ უფრო გაამაგრა ლონდონუ რი ფორმების პოზიციები, ჯ. ჩოსერის

ბ. ინგოროყვა.

ნაწარმოებებმა კი ხელი შეუწყო ამ დიალექტის შემდგომ პოპულარიზაციას.

XVI—XVII სს-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე. წ. ახ. ი. ე. ამ პერიოდში სამეცნ. და ფილოს. ლიტ-რა უკვე ინგლისურად იწერებოდა. წარმოიშვა სპეც. ტერმინოლოგიის შემუშავების აუცილებლობა, რის შემდეგაც ინგლ. ლექსიკაში გაჩნდა ნასესხები ახ. სიტყვები — ლათ., ბერძნ., ნაწილობრივ იტალ. და ესპ., XVII ს-ში კი — ფრანგ. ენებიდან. სინთეზური ძვ. ინგლისურისაგან განსხვავებით, ახ. ინგლ. ანალიზური ენაა; მან თითქმის დაკარგა ფლექსიური ფორმები, რის შედეგადაც გაიზარდა სინტაქსში დამზმარე სიტყვებისა და სიტყვათა რიგის მნიშვნელობა. მისი ლექსიკა ნარევი ხასიათისაა. სალიტ. ი. ე. ემყარება ლონდონურ დიალექტს. თანამედროვე ტერიტ. დიალექტები 6 ჯგუფად იყოფა: შოტლანდიური, ჩრდ. დიალექტები (3), აღმოსავლური, სამხრეთული.

აშშ-ის ი. ე. ძირითადად ემთხვევა ბრიტ. ინგლისურს. განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ ფონეტიკაში, ლექსიკასა და ორთოგრაფიაში. მორფოლ. განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა. კანადური ინგლისური აშშ-ის ინგლისურის ძლიერ გავლენას განიცდის. არც ავსტრალ. ინგლისური განსხვავდება ბრიტანულისაგან იმდენად, რომ ევრ. ინგლისურისაგან განსხვავებულ ი. ე-დ იქნეს მიჩნეული.

ლიტ.: Ильиш Б. А., История английского языка, 5 изд., М., 1968; Смирницкий А. И., Древнеанглийский язык, М., 1955; Мельница, Лексикология английского языка, М., 1956; Торсуев Г. П., Фонетика английского языка, М., 1950; Ярцева В. Н., Историческая морфология английского языка, М.—Л., 1960; Мельница, Исторический синтаксис английского языка, М.—Л., 1961; Jespersen O., A modern English grammar, 4 ed., pt. 1—6, Heidelberg—L., 1928—42; Wyld H. C., A history of modern colloquial English, 3 ed., Oxf., 1936.

ნ. სტურუა.

ინგლისური ლიტერატურა, *იხ. დიდი ბრიტანეთი. ლიტერატურა.*

ინგლისური მარილი, იგივეა, რაც *მაგნიუმსულფატი.*

ინგლის-ჩინეთის ომი 1840—42, ე. წ. პირველი „ოპიუმის" ომი, ინგლისის აგრესიული ომი ჩინეთის წინააღმდეგ, რ-ის მიზანი იყო ჩინეთის გადაქცევა ინგლისზე დამოკიდებულ ქვეყნად. 1840 ივნ. გუანჯოუს რ-ნმი ჩინეთზე ინგლ. ყაჩაღური თავდასხმის საბაბი გახდა 1839 ჩინ. მთავრობის კომისრის ლინ ძე-სიუს მიერ ოპიუმის დიდი მარაგის განადგურება, რ-ითაც კონტრაბანდულად ვაჭრობდნენ ინგლ. კოლონიზატორები (შეიარაღებული შეტაკებები ინგლ. და ჩინ. სამხ. გემებს შორის ხდებოდა 1839 დასასრულიდან). 1842 შუა ხანებში ინგლისელებმა მიიტაცეს კ. სიანგანი (ჰონკონგი), ქ-ები: დინხაი, ნინბო, სიამინი, შანხაი, ჯენძიანი და 1842 აგვ. მიუახლოვდნენ ნანკინს. ჩინ. ხალხი წინ აღუდგა აგრესორებს, მაგრამ ცინის დინასტიის მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა. 29 აგვ. ხელი მოაწერეს ჩინეთისათვის პირველ არათანასწორუფლებიან *ნანკინის ხელშეკრულებას* (1842).

ინგლის-ჰოლანდიის ომები XVII საუკუნეში, ომები ინგლისსა და შეერთებულ პროვინციებს (ჰოლანდ. რესპუბლიკა) შორის მსოფლიო ვაჭრობასა და კოლონიებში ჰეგემონიისათვის. პირველი ი.-ჰ. ო. (1652—54) გამოიწვია ინგლისის უარმა გაეუქმებინა 1651 სანავიგაციო აქტი (*იხ. სანავიგაციო აქტები*). საზღვ. ბრძოლები (პლიმუთისა 1652, ნიუპორტისა 1652 და 1653, პორტლენდისა 1653) გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თანდათანობით უპირატესობა ინგლისის მხარეზე გადავიდა. ინგლ. სამხ.-საზღვ. ფლოტმა დაიწყო ჰოლანდ. სანაპიროს ბლოკადა, ომის ბედი ინგლ. სასარგებლოდ გადაწყდა. 1654 წ. 14 აპრ. დაიდო უესტმინსტერის საზავო ხელშეკრულება, რ-ითაც ჰოლანდია სანავიგაციო აქტს უნდა შერიგებოდა. მეორე ი.-ჰ. ო. (1665—67) გამოაცხადა ჰოლანდიამ 1665 იანვარში. ფაქტობრივად ომი 1664 დაიწყო, როცა ინგლ. საზღვ. ექსპედიციამ ჩრდ. ამერიკაში ჰოლანდ. კოლონია ახალი ამსტერდამი დაიპყრო. ჰოლანდ. ფლოტმა ადმ. რეიტერის მეთაურობით გაიმარჯვა დიუნკერკთან (1666 ივნ.), მაგრამ დამარცხდა ნორთ-ფორლენდის კონცხთან ბრძოლაში (1666 აგვ.). 1667 ივნ. ჰოლანდიელთა ესკადრამ ტემზის შესართავის ბლოკირება დაიწყო. ამ ვითარებაში დაიდო ბრედის ზავი (1667 წ. 31 ივლ.), რ-ითაც ინგლისმა ახალი ამსტერდამი მიიღო, ხოლო დაპყრობილი სურინამი ჰოლანდიას დაუბრუნა. მესამე ი.-ჰ. ო. (1672—74) ე. წ. *ჰოლანდიის ომთან* (1672—78) იყო დაკავშირებული. ამჯერად ჰოლანდიის მთავარ მოწინააღმდეგედ საფრანგეთი გამოდიოდა. ადმ. რეიტერის გამარჯვებამ ტექსელთან ბრძოლაში (1673 აგვ.), ანტიფრანგ. კოალიციის შექმნამ და ინგლ. ბურჟ. წრეებში ომის არაპოპულარობამ გამოიწვია ინგლ. გამოსვლა ომიდან. უესტმინსტერის საზავო ხელშეკრულებამ (1674 წ. 19 თებ.) ძალაში დატოვა ბრედის ტრაქტატი (1667). ი.-ჰ. ო-ის შედეგად ჰოლანდია დასუსტდა, სავაჭრო-კოლონ. პირველობა საბოლოოდ მრეწველობაში უფრო მოწინავე ინგლისმა მოიპოვა. ი.-ჰ. ო-მა ხელი შეუწყო სამხ. საზღვ. ხელოვნების განვითარებას.

ინგოლშტადტი (Ingolstadt), ქალაქი გფრ-ში, ბავარიაში, მდ. დუნაის ნაპირზე. 73 ათ. მცხ. (1971) სატრანსპ. კვანძი ნიურნბერგი—მიუნხენის მაგისტრალზე. მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ელექტროტექ., ხის დასამუშ. მრეწველობა. ქვეყნის უდიდესი ნავთობგადასამუშ. ცენტრი. ი. პირველად იხსენიება 806. ქალაქია 1250-იდან. არქიტ. ძეგლები.

ინგოროყვა პავლე იესეს ძე (დ. 1. XI. 1893, ქ. ფოთი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. 1912—15 სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1924—25 რედაქტორობდა ჟურნ. „კავკასიონს". 1928 დაარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი". 1929—39 განაგებდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბას. 1936—38 იყო „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" რედაქციის განყ-ბის გამგე და სხვ.

ი-ს პირველი ნაშრომი „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. VIII—X სს., წ. I. ტექსტები" (1913) ქართ. სას. პოეზიის ძეგლთა შესწავლისა და გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო. 1914-იდან ი-ს გამოკვლევები ქართ. მწერლობის, კულტ., ისტ. საკითხებზე იბეჭდება სამეცნ. კრებულებსა და პერიოდულ ორგანოებში („ძველი საქართველო", „საქართველოს მუზეუმის მოამბე", „ენიმკის მოამბე", „კავკასიონი", „მნათობი" და სხვ.). ი-ს ფუნდამენტურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე" (1954) ფაქტობრივად განხილულია V—X სს. მთელი ქართ. სას. პოეზია, გამოვლენილი და გაძოქვეყნებულია მანამდე უცნობი პოეტ-ჰიმნოგრაფების თხზულებანი. ი-მ ძვ. ქართ. ლიტ-რაში აღმოაჩინა ე. წ. რიტმული პოეზიის ნიმუშები, სცადა ძვ. ქართ. სანოტო სისტემის გაშიფრვა.

ი-მ ორჯერ გამოსცა ვეფხისტყაოსანი (1953, 1971), ავტორია მონოგრაფიებისა „რუსთველიანა" (1926) და „რუსთველიანას ეპილოგი" (1963). ეკუთვნის მონოგრაფიები „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (1938), „აკაკი წერეთელი" (1940), „ილია ჭავჭავაძე" (1951). გამოსცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული, ვ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის თხზულებანი. მისივე რედაქტორობით გამოიცა გ. მერჩულეს „ცხოვრება. გრიგოლ ხანძთელისა", „ჩვენი საუნჯის" VI ტომი, თანარედაქტორია „შაპნამეს" II ტომის „ვისრამიანის" და „ქილილა დ. დამანას" გამოცემებისა.

თხზ.: თხზულებათა კრებული 3 ტომად, ტ. 1—4, თბ., 1963—78.

ინგრესია (ლათ. ingressio — შესვლა), ზღვის წყლის შეჭრა სანაპიროს დადაბლებულ ნაწილში ზღვის დონის აწევისან ხმელეთის ტექტონ. დაძირვის შედეგად. რელიეფის დადაბლების გამომწვევ ფაქტორთა შესაბამისად, ი-ის შედეგად წარმოიქმნება მყინვარული, ფლუვიალური, ეოლური და სტრუქტურულ-დენუდაციური ინგრესიული ნაპირები.

ინგუსეთი, პატარა ინგუსეთი, მდინარე უკრ. სსრ-ში, დნეპრის მარჯვენა შენაკადი. სიგრძე 549 *კმ*, აუზის ფართი 13,7 ათ. *კმ*². სათავე აქვს და უმთავრესად მიედინება დნეპრისპირა მაღლობზე, ქვემოთში — შავიზღვისპირა დაბლობზე. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით, წყლის საშ. ხარჯი სოფ. მოგილოვკასთან 0,32 *მ*³/*წმ*. იყინება დეკ. II ნახევარში, ყინულძვრაა მარტის II ნახევარში. დიდი შენაკადია ვისუნი. სანაოსნოა შესართავიდან 109 *კმ*. ი-ის ნაპირზეა ქ-ები ალექსანდრია, კრივოი-როგი, ინგულეცი, სნიგირიოვკა. იყენებენ სარწყავად. ი-აუზშია კრივოი-როგის რკინის მადნის საბადო.

ინგულეცი, ქალაქი (1956-იდან) უკრ. სსრ დნეპროპეტროვსკის ოლქში, მდ. ინგულეცის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგ. ინგულეც-ნოვი. რკინის მადნის მოპოვება. სამთოგამამდიდრებელი კომბინატი, ბეტონის ქ-ნა, საღამოს სამთოგამამდიდრებელი ტექნიკუმი.

ინგული, დიდი ინგული, მდინარე უკრ. სსრ კიროვოგრადისა და ნიკოლაევის ოლქებში. სიგრძე 354 *კმ*, აუზის ფართი 9890 *კმ*². სათავე აქვს და მიედინება დნეპრისპირა მაღლობზე, ქვემოთში — შავიზღვისპირა დაბლობზე. ქ. ნიკოლაევთან უერთდება მდ. სამხრეთის ბუგს. უმთავრესად საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 118 *კმ*-ზე 8,84 *მ*³/*წმ*. იყინება დეკ. ნახევარში, ყინულძვრა თებ. ბოლოსა და მარტის დასაწყისშია. სანაოსნოა შესართავიდან 55 *კმ*. იყენებენ სარწყავად. ი-ს ნაპირზეა ქ. კიროვოგრადი.

ინგუშები (საკ. სახელწ. ღალღაი), ჩაჩნ.-ინგ. ასსრ დას. ნაწილში, მთის წინა და ვაკის ზოლში, აგრეთვე კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ხეობებში მცხოვრები ხალხი. რაოდ. 158 ათ. კაცი (1970). ლაპარაკობენ *ინგუშურ ენაზე.* მორწმუნე ი. მუსლიმანები, სუნიტები არიან. ენითა და კულტურით მჭიდროდ ნათესავე ჩაჩნებთან ერთად ჩაჩნეთ-ინგუშეთის მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ. თავდაპირველად მთებში ცალკეულ ჯგუფებად (საზ-ბებად) ცხოვრობდნენ. ბარში ჩამოსახლება XVI—XVII სს-ში დაიწყეს, რამაც ინტენს. ხასიათი XIX ს. 30—60-იან წლებში მიიღო. ბარში ი-ის ერთ-ერთი ძირველი სამოსახლო იყო სოფ. ანგუში ანუ ინგუში (ახლანდ. სოფ. ტარსი, ტარსის ხეობაში), ინგუში ხალხის საერთო სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს. ი-ის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მებაღეობა. მუშაობენ მრეწველობაშიც. 1943—44 ი. გადაასახლეს შუა აზიასა და ყაზახეთში. 1957 დაბრუნეს მშობლიურ ადგილებში. თუშ-ფშავ-ხევსურები ი-ს ქისტებს უწოდებენ (ი-ის ისტორიის, მეურნეობისა და კულტურის შესახებ იხ. აგრეთვე სტ. *ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა*).

ინგუშური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახური ჯგუფის ენა. გავრცელებულია ძირითადად ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-ის ნაზრანის, სუნჯისა და მალგობეკის

-ნებში, აგრეთვე ჩრდ. ოსეთის ასსრ-ის ...ისაზღვრე რ-ნებში. O. ე-ზე ლაპარაკობს 58 ათ. კაცი (1970, აღწერა).

O. ე-თვის დამახასიათებელია ხმოვანთა შედარებით რთული და თანხმოვანთა ...ერტივი სისტემა. სპეციფიკურია ჴ (<ჴ), (<უ, ი) ხმოვნები და ოა (<ჴ) დიფთონგი. თანხმოვანთაგან: ფარინგალური ფშვინვერი ʒ, ფარინგალური სპირანტები ɛ, ʜ, ...არინგალური მკვეთრი Ɛ-ს მსგავსი ბგერა და კბილბაგისმიერი ф, რ-იც შედარებით ახ. წარმოშობისაა.

არსებით სახელებს აქვს ბრუნვის, რიცხვის კატეგორია. ზოგი ზედსართავი სახელი და 4-ის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი განარჩევს გრამატ. კლასს. ძირითადი ბრუნვებია სახ., ნათ., მიც., ერგატივი. ...ათ. ბრუნვის ფორმას ემყარება ერგატივისა და სხვ. ბრუნვათა ფორმები.

ზმნა იუღელება გრამატ. კლასების მიხედვით. გამოიყოფა 4 (ვ, ჲ, ბ, დ) კლასშანი, რ-თა მიმართება მხ. და მრ. რიცხვში გვაძლევს ექვს ჯგუფს. გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაშია. ზმნას აქვს დროის, კილოს, რიცხვის კატეგორიები; საგარემოებო ფორმები. ...ის ნაზმნარი სახელები (მასდარი, მიმ...ობა) და აბსოლუტივები.

წინადადების ძირითადი კონსტრუქციებია ნომინატიური, დატიური, ერგატიული, ...ესსიური და ლოკატიური. ჰიპოტაქსი ...ია განვითარებული.

O. ე-ის ლექსიკა შეიცავს როგორც საერთო-ნახურ, ისე საკუთრივ ინგუშურ ძირ...ებს. მრავლადაა ნასესხები სიტყვები რუს., ...რთ., ოსურ, სპარს., არაბ. ენებიდან.

O. ე-ში არ გამოიყოფა დიალექტები. ...ირე განსხვავება შეინიშნება ბარისა და ...ის მცხოვრებთა მეტყველებაში. O. ე. მწერლობო ენაა. სალიტ. ენას საფუძვლად უდევს ბარის მცხოვრებთა მეტყველება. დამწერლობა შეიქმნა 1923, თავდაპირველად ლათ. გრაფიკის საფუძველზე. 1938-დან შემოღებულია რუს. გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი.

ლიტ.: ...ომნაიშვილი დ., ძირითადი ... თანდებულიანი ბრუნვები ინგუშურსა და ჩაჩ...ურში, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 12; მისი..., Система гласных и регрессивно-дистанционная их ассимиляция в чеченском и ингушском языках, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული», 1974, [ტ.] 1; ...олакова Р. И., Ингушский язык, ...б.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; ...альсагов З. К., Ингушская грамматика, Владикавказ, 1925.

დ. ომნაიშვილი.

...ნდაუ (Eruca), მცენარეთა გვარი ჯვარ...ოსანთა ოჯახისა. ერთწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი ბალახია. აქვს მოყვითალო ან მოთეთრო ყვავილები. 5—6 ხეობა გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, კავკასიაში, დას. ციმბირში, ჩრდ. და ...მ. აფრიკაში. სსრკ-ში მხოლოდ 1 სახეობა იზრდება — E. sativa. საქართველოში (ქართლსა და ჯავახეთში) გვხვდება როგორც სარეველა მთის შუა სარტყელამდე. ზოგჯერ კულტივირებულია ზეთოვან ...ენარედ სსრკ სამხრ. რ-ნებში, მცირე აზიაში, ეთიოპიასა და ინდოეთში. ფოთლებს ...ხარობენ სალათად და საკაზმად, თესლს ... მდოგვის სუროგატად.

...ნდაური, ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მოიცავს 2 გვარის თითო სახეობას. ...ველური O. (Meleagris gallopavo) შინაური O-ის წინაპარია, მისი ...ნის სიგრძეა 100 — 110 *სმ*, მამლის მასა დაახლ. 8 *კგ*. გავრცელებულია აშშ-ის ...ხრ.-აღმ-ით და მექსიკაში. კოპლეანი O. (Agriocharis ocellatus) ...ნადრობს ცენტრ. ამერიკაში. O. იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. ...ნადირო ობიექტია.

შინაური O. თავისი გარეული ნა...ესავებისაგან დიდი ზომითა და წონით ...ნსხვავდება. შინაურ ფრინველთა შორის O. ყველაზე დიდია და მას ხორცისა...ვის ამრავლებენ. მოზრდილი O. იწონის 12—16 *კგ*, ყველაზე დიდი — 20 *კგ*-მდე. კვერცხს დებს მე-10, მე-11 თვიდან, ჩვეულებრივ იანვარ-მარტში (წელიწადში დაახლ. 90 კვერცხი, ყველაზე მეტი 150-მდეა). კვერცხის მასაა 80—88 *გ*. კვერცხის ინკუბაცია 28 დღე-ღამეს გრძელდება (რეჟიმი ქათმის კვერცხის მსგავსია). შემოდგომაზე თითო O-გან შეიძლება გამოვზარდოთ 40—60 და მეტი ფრთა მოზარდეული, რაც 3—4 თვეში 160—200 *კგ* ხორცს მოგვცემს. ნასუქი O-ის ნაკლავის გამოსავალი 85—90%-ს აღწევს. სანაშენე O-ებს იყენებენ 3 წლამდე. O-ის ხორცი დიეტური პროდუქტია, გემრიელი, ორგანიზმიც კარგად ითვისებს. კუნთოვანი ქსოვილი ნაკლავის მასის დაახლ. 50%-ს შეადგენს.

მეინდაურეობა კარგადაა განვითარებული ინგლისში, აშშ-ში, კანადაში, სადაც O-ის ხორცის წარმოება ძირითადად სამრეწვ. საფუძვლებზე ხდება. სსრკ-ში O-ის მოშენებას მისდევენ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, როსტოვის, ვოლგოგრადისა და ვორონეჟის ოლქებში, უკრ. სამხრ. რ-ნებში. საქართველოში რუსეთიდან შემოიყვანეს XVIII ს-ში და ფართოდ გავრცელდა ყველა მხარეში. O-ები დიდ საფრინველეებში ჰყავთ, სადაც ყველა ძირითადი საწარმოო პროცესი მექანიზებულია. სანაშენე მუშაობას ატარებენ გენეტ. სადგურები, სამომშენებლო ფერმები. გამოყვანილია შინაური O-ის მრავალი ჯიში: მკერდფართო ბრინჯაოსფერი, ინგლ. მინი, ბელტსვილური, გარდა ამისა, სსრკ-ში გავრცელებულია ჩრდილოკავკ., მოსკოვური თეთრი, ტიხორეცკული შავი და სხვ. ჯიშები. საქართველოში ბევრია შინაური O-ის პოპულაცია — შავი, ბრინჯაოსფერი, ნაცარა, ჩალისფერი და სხვ.

ლიტ.: ...ანაძე ნ., სანაშენე მუშაობა მეფრინველეობაში, თბ., 1974; Щербина П. Ф., Разведение индеек, М., 1974.

ნ. ...ანაძე.

ინდ-განგის ვაკე, ვაკე ინდოეთის, პაკისტანისა და ბანგლადეშის ტერიტორიაზე, ჰიმალაიის ქედსა (ჩრდ.) და დეკანის ზეგანს (სამხრ.) შორის. წარმოადგენს კონტინენტური ნალექებით დაფარულ მთისწინა როფს. აქვს ოდნავ დახრილი, ბრტყელი, დატერასებული და დახრამული ზედაპირი. O.-გ. ვ-ის აღმ. ნაწილის ჰავა სუბეკვატორული მუსონურია, დას. ნაწილისა — ტროპიკული. ვაკის დიდ ნაწილზე ივლ. საშ. ტემპ-რაა 30—36°C, იანვ. დაახლ. 20°C. ატმ. ნალექები ვაკის სამხრ.-აღმ. ნაწილში 1500 *მმ* წელიწადში, სამხრ.-დას. ნაწილში — 100—150 *მმ*. მდინარეთა ქსელი ხშირი და უხვწყლიანია. მთავარი მდ-ებია: ინდი, განგი, ბრაჰმაპუტრა. ჭარბობს ალუვიური ნიადაგი. განგისა და ბრაჰმაპუტრის დელტებში მანგროვიანი და მარადმწვანე ტყეებია, ვაკის ცენტრ. ნაწილში — სავანა და ფოთოლმცვივანი ტყე. დას. ნაწილში ქვიშიანი უდაბნოები და მლაშობებია. O.-გ. ვ-ის ცენტრ. და აღმ. ნაწილში ბუნებრივი მცენარეულობა თითქმის არ არის, ჭარბობს კულტ. ლანდშაფტი.

ინდეპენდენტები (ინგლ. independents, სიტყვასიტყვით—დამოუკიდებელნი), პროტესტანტიზმის ერთ-ერთი რელიგიურ-საეკლესიო მიმდინარეობის მომხრენი, *ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის* (XVII ს.) დროს პოლიტ. პარტია, რ-იც გამოხატავდა ბურჟუაზიის რადიკალური ფრთისა და ახალი, გაბურჟუებული თავადაზნაურობის ინტერესებს (ჩამოყალიბდა XVI ს. 80—90-იან წწ.). *პრესვიტერიანუბისაგან* განსხვავებით O. გადაჭრით უარყოფდნენ ყოველგვარ ეკლესიას, რ-იც დასაბამს სახელმწიფოსაგან იღებდა. ინგლ. რევ. პირველ ეტაპზე O. გამოხატავდნენ ფართო მასების ინტერესებს, 1646 გაითიშნენ — დემოკრ. ელემენტები გაემიჯნენ ბურჟ.-თავადაზნაურულ ფრთას, რ-საც *ო. კრომველი* მეთაურობდა. სტიუარტების რესტავრაციის (1660) შემდეგ O-ის პარტია ჩამოშორდა პოლიტ. სარბიელს.

ინდერალი, ანაპრილინი, ობზიდანი, სამკურნალო პრეპარატი, სპეციფიკური β-ადრენობლოკატორი. თეთრი ან მოთეთრო-მოვარდისფრო კრისტ. ფხვნილი; იხსნება წყალსა და სპირტში. ამცირებს გულის შეკუმშვისა და სტენოკარდიული შეტევის სიხშირეს, მიოკარდიუმის კუმშვადობის უნარს, დამთრგუნავად მოქმედებს გულის კუნთზე, ზრდის ფიზ. შრომისადმი გამძლეობას და სხვ. O-ს იყენებენ სტენოკარდიის, არითმიის, აგრეთვე თირეოტოქსიკოზის დროს, სათითურას პრეპარატებით მოწამვლისას და პაროქსიზმული ტაქიკარდიის შეტევების პროფილაქტიკისათვის.

ინდეტერმინიზმი (ლათ. in — უარყოფითი ნაწილაკი და *დეტერმინიზმი*), იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა და მეთოდოლოგიური პრინციპი, რ-იც უარყოფს ან საგნებისა და მოვლენების მიზეზობრივ ურთიერთგანსაზღვრულობას (ონტოლოგიური O.), ან მიზეზობრიობის შემეცნებით ღირებულებას (მეთოდოლ. O.). O. მატერიალიზმისა და მისი მეთოდოლ. პრინციპის — დეტერმინიზმის საპირისპირო მოძღვრებაა. O-ისა და დეტერმინიზმის დაპირისპირება განსაკუთრებით თავს იჩენს ადამიანის ნებისა და მისი მოქმედების მოტივების, აგრეთვე პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხში. თანამედროვე ბურჟ. ფილოსოფიაში შექმნილია ბუნების მოვლენების ინდეტერმინისტული ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმა: ან დეტერმინიზმი აღიარებულია ბუნების სფეროში და გამორიცხულია საზ-ბის სფეროდან (*ნეოკანტიანელობა*), ან იგი მხოლოდ ლოგიკური სფეროს მახასიათებლადაა მიჩნეული (*პრაგმატიზმი*). ბოლო ხანს გავრცელდა კვანტური ფიზ. ინდეტერმინისტული ინტერპრეტაცია, რ-ის მიხედვით, მთელი მიკროსამყარო, რამდენადაც იქ მექანისტური მიზეზობრიობა არ მოქმედებს, მიზეზობრიობის პრინციპს საერთოდ მოკლებულია. მაგრამ მექანისტური დეტერმინიზმი დეტერმინიზმის არც უმაღლესი და არც ერთადერთი ფორმაა. დეტერმინიზმის უმაღლესი ფორმაა დიალექტ. მატერიალიზმი; მისთვის ერთნაირად უცხოა როგორც O., ისე ყოველგვარი ცალსახა (მექანისტური) დეტერმინიზმი, რ-იც საბოლოოდ ფატალიზმში გადადის. ამიტომ O-ის დაძლევა მხოლოდ დიალექტ. მატერიალიზმის საფუძველზეა შესაძლებელი.

ინდექსი (ლათ. index — მაჩვენებელი, სია), ინდექსაცია, მაჩვენებელი, საძიებელი; სახელთა ან სახელწოდებათა ნუსხა; პირობით ნიშანთა (ასოების, ციფრების) სისტემა. მაგ., საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული O., საფოსტო O., საგამომცემლო O., სამკურნალწამლო საშუალებათა O., O-ები, რ-ებიც აღნიშნავს გამოშვების თარიღს, შენახვის ვადას და სხვ. O. მათემატიკაში, რიცხვითი ან ასოითი მაჩვენებელი, რ-საც იყენებენ მათ. გამოსახულებათა განსასხვავებლად. მაგ., x_1, x_n, a_0, a_i და ა. შ. (1, *n*, 0, *i* O-ებია).

ინდექსი რიცხვთა თეორიაში, რიცხვი, რ-იც *შედარების* ამოხსნისას ანალოგიურ როლს ასრულებს, რასაც ლოგარითმი მაჩვენებლიანი განტოლების ამოხსნის დროს. თუ *p* კენტი მარტივი რიცხვია, ხოლო *g* *პირველადი ფესვი p* მოდულით, შაშინ მთელი *a* რიცხვის O. ეწო-

ინდაუ (Eruca sativa): ა—ნაყოფი.

ადგილობრივი ჩალისფერი ინდაური.



ინდიგო.

დება ისეთ $k=\mathrm{ind}\, a$ რიცხვს, რომ $a \equiv g^k \pmod p$. ორწევრა $ax^n \equiv b \pmod p$ შედარების ამოხსნისას 0-ებს იყენებენ წრფივ $\mathrm{ind}\, a + n\, \mathrm{ind}\, x \equiv \mathrm{ind}\, b \pmod{p-1}$ შედარებაზე გადასასვლელად.

ინდექსი სტატისტიკაში, შეფარდებითი სიდიდე, რ-იც რაოდენობრივად ახასიათებს არათანაზომადი მოვლენების ერთობლიობათა კრებსით დინამიკას (უფრო იშვიათად — ცვლას სივრცეში).

საინდექსო სიდიდის გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული ელიმინირების ხერხთან. ამიტომ ერთი მოვლენის დინამიკის გაზომვისას საჭიროა მეორე, მასთან დაკავშირებული, მივიჩნიოთ უცვლელ სიდიდედ, ე. ი. მოვახდინოთ მისი ელიმინირება. შესასწავლი ობიექტის მასშტაბის მიხედვით სტატისტ. 0. იყოფა ინდივიდ., ჯგუფურ და საერთო 0-ად.

გამოანგარიშების წესის მიხედვით სტატისტ. 0. შეიძლება დავაჯგუფოთ საბაზისო და ჯაჭვურ 0-ებად. საბაზისო 0-ის გამოანგარიშებისას ყოველი მომდევნო პერიოდის შესაბამისი სიდიდე თანამიმდევრულად ეფარდება ერთსა და იმავე უცვლელ ბაზას. ზოგჯერ საჭიროა შედარებით მოკლე პერიოდის მონაკვეთებში დინამიკის თავისებურების თანამიმდევრული შესწავლა. ამ შემთხვევაში მწკრივის ყოველი მომდევნო წევრი ეფარდება წინას. სტატისტ. 0. სხვადასხვა ფორმისაა: აგრეგატული, საშ. არითმ. და ჰარმონიული (მთავარია აგრეგატული). პროდუქციის ფიზ. მოცულობის აგრეგატული 0-ის გამოანგარიშების ძირითადი ამოცანაა პროდუქციის დინამიკის გაზომვა: $j=\frac{\Sigma q_1 p_0}{\Sigma v_0 p_0}$,

j — არის საძიებელი სიდიდე, q — პროდუქცია, p_0 — ფასები (უცვლელი), Σ — შეჯამების მაჩვენებელი, q_1 — მიმდინარე პერიოდი, q_0 — საბაზისო პერიოდი. აქედან გამომდინარე, პროდუქციის აბსოლ. მატება $\Delta=\Sigma q_1 p_0 - \Sigma q_0 p$, თუ აბსოლ. მატებას ($\Delta$) შევუფარდებთ საბაზისო პერიოდის პროდუქციას, მივიღებთ მატების ტემპს (t %). $t\% = \frac{\Delta \cdot 100\%}{\Sigma q_0 p_0}$,

აქედან ერთ პროცენტზე ზრდა $\sigma = \frac{\Delta}{t}$.

სტატისტ. 0-ის საერთო სისტემაში მნიშვნელოვანია აგრეთვე ფასების აგრეგატული 0., რ-ის გამოანგარიშების მიზანია ფასების დინამიკის გაზომვა. ფასების აგრეგატული 0-ის ფორმა მიმდინარე პერიოდისათვის წონებით ასეთია: $j=\frac{\Sigma p_1 q_1}{\Sigma p_0 q_1}$.

ფასების შემცირებისას გამოანგარიშებით აღმოჩნდება, რომ მოსახლეობამ განსაზღვრული სიდიდის ეკონომია მიიღო, რაც იმის მაუწყებელია, რომ ცხოვრების მატერ. პირობები გაუმჯობესდა. აგების წესის მიხედვით ფასების 0-გან არ განსხვავდება პროდუქციის თვითღირებულების 0. მხოლოდ ის თავისებურება ახასიათებს, რომ იგი ასახავს საწარმოს მუშაობის სინთეზური მაჩვენებლის — პროდუქციის თვითღირებულების დინამიკას: $j=\frac{\Sigma c_1 q_1}{\Sigma c_0 q_1}$,

სადაც საინდექსო სიდიდეა თვითღირებულების მაჩვენებელი (c), მნიშვნელოვანია აგრეთვე შრომის ნაყოფიერების აგრეგატული 0. $j=\frac{\Sigma t_0 q_1}{\Sigma t_1 q_1}$; 0-ის მნიშვნელი გამოხატავს მიმდინარე პერიოდში გამოშვებულ პროდუქციას, გამოსახულს ამავე პერიოდში დახარჯულ დროში (t_1), ხოლო მრიცხველი არსებითად პირობითი სიდიდეა და აღნიშნავს იმ დროს, რ-იც საჭირო იქნებოდა იმისათვის, რომ მიმდინარე პერიოდის პროდუქცია საბაზისო პერიოდის შრომის ნაყოფიერების პირობებში დაგვემზადებინა. *შ. ბერაძე.*

ინდექსირება, რაიმე დოკუმენტის ტექსტის მთავარი შინაარსის ან თემის *საინფორმაციო-საძებნი ენის* ტერმინებით გამოსახვის პროცესი; იხმარება ამა თუ იმ ტექსტის ადვილად მოსაძებნად. არსებობს 2 სახის 0.: საკლასიფიკაციო და კოორდინატული. 0-ის განსაკუთრებული სახეა ტექსტის შინაარსის გახსნა მასში მოყვანილი ბიბლიოგრაფიის საშუალებით. ასეთი 0. საფუძვლად ედება ციტირებული ლიტერის საძიებლებს (მაჩვენებლებს).

ლიტ.: Михайлов А. И., Черный А. И., Гиляревский Р. С., Основы информатики, 2 изд., М., 1968.

ინდი (სანსკრ. सिन्धु; პუშტუ ენაზე آب-سین, სიტყვასიტყვით — მდინარეთა მამა), მდინარე ჩინეთში, ინდოეთსა და პაკისტანში. სიგრძე 3180 *კმ*, აუზის ფართ. 980 ათ. *კმ*². სათავე აქვს კაილასის ქედზე (ტიბეტის ზეგანი), დაახლ. 5300 *მ* სიმაღლეზე. ზემოთში ღრმა, კლდოვან ტექტონ. ხეობაში მიედინება, შემდეგ კვეთს ჰიმალაიისა და ჰინდუქუშის შტოქედებს, შუაწელში — ბორცვიან დაბალმთიანეთს, მდ. ქაბულის შეერთების შემდეგ ინდგანგის ვაკეზე გადის და იტოტება. 0-ის კალაპოტის სიგანე აქ 400—500 *მ*-იდან 1—2 *კმ*-მდე იზრდება (მდ. პანჯნადის შეერთების შემდეგ) და წყალდიდობის პერიოდში 5—7-იდან 20—22 *კმ*-მდე აღწევს. ქვემოთში 0. ჩაუვლის თარის უდაბნოს დას. კიდეს და უერთდება არაბეთის ზღვას (დელტის ფართ. დაახლ. 8 ათ. *კმ*²). 0. საზრდოობს თოვლის, მყინვარისა და წვიმის წყლით. წყალუხვია გაზაფხულსა და ზაფხულში. წყლის საშ. ხარჯი ქ. ჰაიდარაბადთან 3850 *მ*³/*წმ* (უხვწყლიან წლებში — 30 ათ. *მ*³/*წმ*-მდე). გვალვიან პერიოდში ქვემო დინებაში ზოგჯერ შრება კიდეც და ვერ აღწევს ზღვამდე. 0-ს ყოველწლიურად დაახლ. 450 მლნ. ტ ნატანი გამოაქვს. 0-ზე აგებულია 14 დიდი კაშხალი. 0-ის აუზში ირწყვის 11 მლნ. ჰა-ზე მეტი მიწა. სანაოსნოა შესართავიდან ქ. დერაისმაილ-ხანამდე. 0-ის ნაპირზეა ქ-ები: სუკური, ჰაიდარაბადი, კარაჩი.

ინდიანა (Indiana), შტატი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, მიჩიგანის ტბასა და მდ. ოჰაიოს შორის. ფართ. 94,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 5,3 მლნ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 65% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ცენტრი და უდიდესი ქალაქი — ინდიანაპოლისი.

ზედაპირი ბორცვიანია (სიმაღლე 378 *მ*-მდე). ჰავა — ზომიერი კონტინენტური. ნალექები დაახლ. 1000 *მმ* წელიწადში. 0. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია დამუშავებით მრეწველობაში. განვითარებულია მანქანათმშ. (თვითმფრინავების, რაკეტებისა და ავტომობილების ძრავებისა და ნაწილების, სატვირთო ავტომობილების, საგზაო მანქანების, სას.-სამ. იარაღის, მაცივრების წარმოება, რადიოელექტრონიკა) და შავი მეტალურგია, აგრეთვე ქიმ., რეზინის, კვების მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ინდიანაპოლისი და გერი.

0. შედის „სიმინდის სარტყელში". მთავარი კულტურებია სიმინდი და ხორბალი. სოფ.მეურნ. სასაქონლო პროდუქციის 55%-ს იძლევა მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ღორი, ცხვარი).

ინდიანაპოლისი (Indianapolis), ქალაქი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, მდ. უაიტ-რივერის (ოჰაიოს აუზი) ნაპირზე. ინდიანის შტატის ადმ. ცენტრი. 740 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 1,1 მლნ. (1975). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. დიდი სამრეწვ. და სავაჭრო ცენტრი. განვითარებულია მანქანათსაშ. (თვითმფრინავის ძრავების, ავტომობილის ნაწილებისა და მოწყობილობების, ელექტრონელსაწყოების, სამშენებლო მოწყობილობის, სას.-სამ. იარაღის წარმოება), ქიმ. (განსაკუთრებით ფარმაცევტული) და კვების (ხორცსაკონსერვო, საფქვავი) მრეწველობა. უნ-ტი. 0. დაარსდა 1820.

ინდიგირკა, მდინარე იაკუტ. ასსრ-ში. სიგრძე 1726 *კმ*, აუზის ფართ. 360 ათ. *კმ*². სათავე აქვს ხალკანის ქედის ჩრდ. კალთაზე. წარმოიქმნება ხასტახისა და ტარიურიახის შეერთებით. ერთვის აღმ. ცივ. ბირის ზღვას. ზემოთში (640 *კმ* მანძილზე) მთის მდინარეა, ქვემოში — ვაკე (მიედინება აბისა და იანა-ინდიგირკის დაბლობზე). შესართავთან იტოტება და აჩენს დელტას (ფართ. 5500 *კმ*²). დიდი შენაკადებია: მარცხ. — კუიდუსუნი, სელენიახი, მარჯვ. — ნერა, მომა. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მყინვარების წყლით. წყალდიდობა იცის ზაფხულში. წყლის საშ. ხარჯი უსტ-ნერისთან 428 *მ*³/*წმ*, ვერონცოვთან — 1570 *მ*³/*წმ*, იყინება ოქტომბერში, ყინულძვრაა მაის-ივნისში. მდიდარია თევზით. 0-ის აუზში იღებენ ოქრო. სანაოსნოა მდ. მომის შესართავიდან. მთავარი ნავმისადგომებია: ხონუ, დრუჟინა, ტაბორი, ჩოკურდახი.

ინდიგო (ესპ. indigo<ბერძნ. indikos ინდური), $C_{16}H_{10}O_2N_2$. მუქი ლურჯი ფერის კრისტალური ნივთიერება, $t_{ლღ}$ 390—392°C (დაშლით), წყალსა და სპირტში უხსნარია, ძნელად იხსნება ზოგიერთ ორგანულ გამხსნელში. ამჟამად 0. ძირითადად ინდოქსილის ჟანგვით მიიღება. როგორც საღებარი, 0. უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამზადებდნენ ინდიგოს შემცველი მცენარეებისაგან. მაგ., Indigofers tinctoria; იყენებდნენ ბამბისა და შალის კუბოვანი ღებვისათვის (იხ. *ღებვა*).

ინდიგოიდური საღებრები, *კუბოვანი საღებრების* ჯგუფი, რ-ებიც აგებულებით ახლოს არიან *ინდიგოსთან*. 0. ს. მოიცავს ფერთა სკალის ფართო ინტერვალს ნარინჯისფერიდან შავამდე. 0. ს-ის ფერთა სიმტკიცე წყლისა და სინათლის მოქმედების მიმართ საკმაოდ დიდია. 0. ს-ის ტიპური წარმომადგენლებია ინდიგო და თიოინდიგო. 0. ს-ის ასორტიმენტი ძირითადად XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. შემდგომში ამ კლასის საღებრების დიდი ნაწილი სხვა კლასის საღებრებით შეცვალეს. ჯერჯერობით იყენებენ 0. ს-ის მხოლოდ 15—20 სახეობას.

ლიტ.: Коган И. М., Химия красителей, М., 1956.

ინდიელები, ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის საერთო სახელწოდება (ესკიმოსებისა და ალეუტების გამოკლებით). სახელი მომდინარეობს პირველ ევროპელ მეზღვაურთა (ქრისტეფორე კოლუმბი და სხვ. XV ს.) არასწორი წარმოდგენიდან, თითქოს მათ მიერ აღმოჩენილი ოკეანის გაღმა ქვეყანა ინდოეთი იყო. ანთროპოლოგიურად 0. განეკუთვნებიან ამერ. რასას. საერთო რაოდ. ამერიკაში 30 მლნ. (1975 შეფასება) შეადგენს. ინდიელთა ენები მეტისმეტად დაქუცმაცებულია და თანასწორად შესწავლილი არ არის (იხ. ეთნოგრაფიული რუკები სტატიებთან *ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა*). ინდიელთა უმრავლესობა ქრისტიანია. ნაწილობრივ შემონახულია ძვ. კულტები (ტოტემიზმის და ანიმიზმის გადმონაშთები, შამანიზმი და სხვ.).

ვარაუდობენ, რომ ინდიელთა და ესკიმოსთა წინაპრები ამერიკაში ჩრდ.-აღ. აზიიდან გადმოსახლდნენ 20—30 ათ. წლის წინათ. ინდიელთა დასახლება ამერ. ორივე კონტინენტზე მრავალი ათასწლეულის მანძილზე მიმდინარეობდა. კოლონიზაციამდე ჩრდ. და სამხრ. ამერიკის ინდიელ. ტომების უმრავლესობა თემურ-გვაროვანი წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იდგა.

ევროპელთა მიერ ამერ. კოლონიზაციის შედეგად ინდიელთა დიდი ნაწილი გაწყვეტილ. ნადგურდა. დანარჩენები კი აშშ-ისა და კანადის რეზერვაციებში გაასახლეს. მაგ., ტოოდენ მატერიკის უკიდურეს ჩრდილოეთში განაგრძობენ 0. ნახევრად მოხეტიალე ცხოვრებას. აშშ-ის 0-ის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკელებთან ასიმილაციის გზას ადგა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატისა და უღარიბეს ფერმერთა რიგებში. ხოლო ლათინური ამერ. მთელი რიგ

ენების თანამედროვე ერების ფორმი-ბაში (მექსიკელები, გვატემალელები, ჩაგვაელები, პერუელები და სხვ.) ი. ინშვნელოვან კომპონენტს შეადგენენ. მა თავისი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ლტ. საგანძურში. მსოფლიოს ხალხებმა გან ისწავლეს ისეთი კულტურების მონება, როგორიცაა სიმინდი, კარტოფი-ი, მზესუმზირა, შანიპოტი, კაკაო, თამ-ქო და სხვ.: შექმნეს არქიტექტურის, ვნიანი ხელოვნების, ხალხ. პოეტური შე-ქმედებისა და სხვა შესანიშნავი ძეგლები.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. ევროპელთა მიერ ერ. კოლონიზაციის დროს ცენტრ. ამე-ეკასა და ანდების რ-ში არსებობდა მა-ელგანვითარებული მზატვრული კულტუ-ი, რ-იც დამპყრობლებმა გაანადგურეს (იხ. *ქსიკა, გვატემალა, ჰონდურასი, პანა-ა, კოლუმბია, პერუ, ბოლივია, აცტეკე-ი, ინკები, მაია, მიშტეკები, სპოტეკე-ი, ტოლტეკები*).

ინდიელთა საცხოვრ. სახლის ტიპი ავალფერფერვანია: ჩარდახები, გუმბათი-ბრი კარვები (კანადელ მონადირეთა გვამები), კონუსური კარვები (ტიპი — ნადისა და აშშ-ის პრერიების ი-სა), ებიც აგებულია ტოტებით, ფოთლებით, ალოფით, ტყავებითა და ა. შ. თიხისა ქვის ქოხები სამხრ. ამერ. მთიან ნებში, ფიცრით ნაგები სათემო საცხოვრ. ხლები ჩრდ. ამერ. ჩრდ.-დას-ში და სხვ. ში ფართოდ იყო გავრცელებული წვნა, ოვა, ქარგვა, ფრინველთა ბუმბულისა-ან დამზადებული მორთულობები, კე-ამ. და ხის მზატვრული საგნები და ფიგუ-ები. ხეზე კვეთა გავრცელებული იყო ერ. რამდენიმე ტიპის ხელოვნებაში, ნსაკუთრებით კი ჩრდ. ამერიკის ჩრდ.-ას. სანაპირობზე (პოლიქრომული ტოტე-ური და საფლავის სვეტები რეალური და ანტასტ. გამოსახულებებით). მონასტ-ებში წამყვანი თემატიკაა გეომ. ორნა-ენტი, ფანტასტ. გამოსახულებები, სომა-ი და ნადირობის სცენები (ნახატები სა-ოვრ. სახლებზე, ე. წ. ტიპებზე, ფარებ-ე, ბიზონის ტყავზე და სხვ.). ი-ის თვით-ოფი ხელოვნება მრავალ ქვეყანაში ოისპო (აშშ, კანადა, ურუგვაი, არგენტი-ა და სხვ.), ზოგ ქვეყანაში კი (მექსიკა, ილივია, გვატემალა, პერუ, ეკვადორი და 	g.) ახ. ხალხურ ხელოვნებას დაედო სა-უძველად.

ლიტ.: ენ გ ე ლ ს ი ფ., ოჯახის, კერძო კუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, ბ., 1978; М о р г а н Л. Г., Дома и домашняя жизнь американских туземцев, ер. с англ., Л., 1939; Народы Америки, 1—2, М., 1959—60.

ინდიელთა ენები, ჩრდილო, ცენტრა-ური და სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ენები. სხვადასხვა მონაცემით, ამ ენებზე ალაპარაკობს 12-იდან 20 მლნ-მდე კაცი. ოიცავს რამდენიმე ათეულ ენასა და დია-ექტს. დღესდღეობით ჯეროვნად არ არის ესწავლილი და, ამდენად, არც მეცნიე-ულად დასაბუთებული კლასიფიკაცია არ-ებობს. პირობითად ასე აჯგუფებენ: 1. ა-დენე — *ათაბასკური* (ალასკასა და კა-ადის ჩრდ.-დას-ში, აშშ-ის სამხრეთში ა მექსიკის ჩრდ-ში, კალიფორნიისა და რეგონის ზოგიერთ რ-ნში), ტლინგიტი ა ჰაიდა (სამხრ. ალასკაში); 2. ალგონ-ინურ-რიტვანული — *ალგონკინური* (აღმ. ა სამხრ. კანადაში, აშშ-ის ჩრდ.-აღმ. აწილში), რიტვანული (კალიფორნია-ი — ვიიოტი და იუროკი) და აწ მკვდარი ეოტუკი (ნიუფაუნდლენდში); 3. პენუ-ი — კალიფორნიის პუნუტი (მიოკი, იო-უტსი) და, ზოგი მეცნიერის აზრით, ე. წ. რეგონის პენუტი ენები — ტაკელმა, კა-უპუნა, კუსი, იაკონა და ჩინუკი; 4. ჰო-ა — მოიცავს ენებს: ტლაპანეკი (მექსი-ა), კოაუილტეკი (ტეხასში); 5. კადო-როკეზული — *იროკეზული ენები* (ერი-ა და ონტარიოს მიდამოებში, მდ. წმ. ლავ-ენტის აუზში, აგრეთვე ვირჯინიაში, ჩრდ. კაროლინაში, კენტუკსა და ტენესში) და კადო (ოკლაჰომაში, ჩრდ. ტეხასსა და ლუიზიანაში, არკანზასში); 6. სიუ (სას-კაჩეკანი და აღმ. მონტანიდან სამხრ.-აღმ-ით, არკანზასამდე). აქვე ასახელებენ იუ-ჩის (ჯორჯიასა და სამხრ. კაროლინაში); 7. *მუსკოგი-ნაჩიზი* (სამხრ.-აღმ. აშშ-ში); 8. იუტოაცტეკურ-აცტეკური (აშშ-ს. დას., მექსიკასა და ცენტრ. ამერიკაში). 9. *მაია-სოკე* (აღმ. და სამხრ.-აღმ. მექსიკაში, ი-კატანსა და გვატემალაში), შინკა (გვატე-მალაში) და ტოტონაკი (აღმ. მექსიკაში); 10. ოტომანგური—ოტომი; მიშტეკურ-პოპო-ლოკური, საპოტეკი, ჩოროტეგა და სხვ. (ცენტრ. და სამხრ. მექსიკაში, ნიკარაგუ-ასა და კოსტა-რიკაზე); 11. ჩიბჩა (კოსტა-რიკაზე, პანამაში, კოლუმბიის, ეკვადო-რის, პერუს ნაწილში). 12. *არავაკული* (დიდი ანტილის კ-ები, აღმ. კოლუმბია-ში, ჩრდ. ვენესუელაში, გვიანაში, შუა და ზემო ამაზონსა და სამხრ. ამერიკის დას. ნაწილში); 13. კარიბული (კოლუმ-ბიაში, ვენესუელაში, ანტილის კ-ებზე, გვიანასა და ჩრდ. ბრაზილიაში); 14. კე-ჩუა-აიმარა — კეჩუა (სამხრ. ეკვადორში, დას. პერუსა და ბოლივიაში, ჩრდ. ჩილე-ში) და აიმარა (ბოლივიასა და სამხრ.-აღმ. პერუში); 15. *ყე* (აღმ., სამხრ. და ცენტრ. ბრაზილიაში); 16. ტუპი-გუარანი (აღმ., ჩრდ.-დას. ბრაზილიაში, პარაგვაი-ში, ჩრდ. არგენტინასა და ურუგვაიში).

ტიპოლოგიურად ი. ე. სხვადასხვა-გვარია. ბევრია ინკორპორაციული ენა (კადო-იროკეზული, იუტოაცტეკური ენე-ბის უმრავლესობა, ნაწილობრივ — ალგონ-კინური ენები), აგლუტინაციური — გან-ვითარებული აფიქსაციითა და სიტყვათ-შეერთებით (ოტომი და სხვ.), არაიშვია-თია ფლექსიური ენებიც (ორეგონის პე-ნუტი, ტაკელმა ჰოკის ოჯახიდან და სხვ.). ი. ე-ის უმრავლესობა უმწერლობოა. ძვ. იეროგლიფური დამწერლობა ჰქონდათ მა-იას, საპოტეკებს, კუნს (ჩიბჩის ოჯახიდან), კეჩუასა და აიმარას. ევროპელთა მიერ ამერ. კოლონიზაციის შემდეგ აცტეკურის, ტუპის, კეჩუასათვის შემოღებულია ლათ. ანბანი. ამჟამად სალიტ. ენებია გუარანი, კეჩუა და, ნაწილობრივ, აიმარა. ამ ენებ-ზე შეიქმნა ქრისტ. და საერო ლიტ-რა.

ლიტ.: Handbook of American Indian languages, pt. 1—2, Wash., 1911—22.

ინდიელთა ლიტერატურა, მოიცავს ამე-რიკის ინდიელთა ტომების ზეპირსიტყვი-ერების და წერილობით ძეგლებს. ამერ. კონტინენტზე ევროპელთა მოსვლამდე იქ-მნებოდა ეპიკური თქმულებები, ზღაპრე-ბი, მითები, სიმღერები და ანდაზები ინ-დიელთა ყოფა-ცხოვრების თემებზე. XVII ს. დასაწყისში პიქტოგრაფიული დამწერ-ლობით ჩაიწერა მნიშვნელოვანი ძეგლი „უალამ ოლუმი" („ნახატებიანი მოთხრო-ბა"). ი. ლ-მ დიდ განვითარებას მიაღწია ცენტრ. ამერიკაში და ანდებში. კლასობ-რივ დაყოფასთან დაკავშირებით წამყვა-ნი თემები გახდა მმართველთა და წარჩი-ნებულ პირთა გამარჯვებისა და ღმერთის ყოვლისშემძლეობის სადიდებელი სიმღე-რები. წარმოიქმნა ლიტ. ჟანრები (სახო-ტბო წარწერები), დადგინდა ლიტ. კანო-ნები. მრავალი ლიტ. ნაწარმოები რელიგ.-მაგიური რწმენითაა გამსჭვალული (ჰიმ-ნები ღმერთებისადმი, გალექსილი მითები, ლოცვები, წინასწარმეტყველებანი და სხვ.). აღსანიშნავია აცტეკური ჰიმნები, მაიას მოციქულთა წიგნები „ჩილამ ბალა-მი" და სხვ. განსაკუთრებით გავრცელდა ომის თემატიკა. მომდევნო პერიოდში ლა-თინურად ჩაწერილმა მრავალმა ქრონიკამ მოაღწია ჩვენამდე. აღსანიშნავია მითოლ. და ისტ. შინაარსის დრამ. ნაწარმოებები, რ-ებიც მჭიდროდ უკავშირდებოდა ცეკ-ვებს. ამ ნაწარმოებთაგან შემორჩენილია კიჩეს ტომის დრამა „რაბინალ აჩი" და პერუელთა ტრაგედია „ოლიანტაი". მაიას ტომში ცნობილი იყო ზოგიერთი კომედი-ის სახელწოდება — „ქოთნების გამყიდველი", „მუქთახორა", „კაკაოს მომყვანი მებალე" და სხვ. შნიშვნელოვანია აგრეთ-ვე პოეტური ტექსტები, რ-ებიც დაკავ-შირებულია მუსიკასთან. ძვ. ამერიკის ყვე-ლაზე დიდი პოეტი იყო ტესკოკონსახუალ-კოიოტლი (XV ს.), რ-ის სახელით ჩვენამ-დე მოაღწია ლექსების კრებულმა. თანა-მედროვე ი. ლ-ის თავისებური სახეობაა დრამ. ბალეტი, რ-შიც გადმოცემულია ესპ. დაპყრობათა ამბები, ქრისტ. ლე-გენდები და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე ზღაპრები, ლირ. პოეზია. ი. ლ-ის გავლე-ნა დღემდე იგრძნობა გვატემალელ, პერუ-ელ, მექსიკელ მწერალთა თხზულებებში. ინდიელთა ცხოვრების ამსახველ ნაწარმო-ებებს ინდიანისტურ ლიტ-რას მიაკუთვნე-ბენ.

ლიტ.: З у б р и ц к и й Ю. А., «Апу-Ольянтай» — памятник культуры народов Кечуа, კრ.: Культура индейцев, М., 1963; К и н ж а л о в Р. В., Драма киче «Рабиналь-ачи», «Вестник истории мировой культуры», 1961, № 5; მ ი ს ი ვ ე, Культура древних майя, Л., 1971; Пошоль-Вух, М.—Л., 1959.

ინდივიდი, ცალარსი (ლათ. individuum — განუყოფელი), სიცოცხლის დაუ-ყოფელი ერთეული. ი. ბიოლ. *სახეობის* უმცირესი ერთეულია. სრული გაგებით ცნება „ი." მხოლოდ არაკოლონიურ ორგა-ნიზმებს ესადაგება.

ინდივიდუალიზმი (ფრანგ. individualisme < ლათ. individuum — განუყოფელი), მსოფლმხედველობის ტიპი, რ-შიც მოცემულია ცალკეული ინდივიდის პოზი-ციის აბსოლუტიზაცია და მისი დაპირის-პირება საზოგადოებრიობასთან. ი. ვლინ-დება ადამიანის მორალურ ქცევაში, აგრე-თვე ეთიკურ, ფილოს., პოლიტ. და სხვა შეხედულებებში. ი., როგორც სოციოლო-გიური თვალსაზრისი, ისტ. პროცესის სუ-ბიექტურ-იდეალ. გაგებას ემთხვევა და წარმოადგენს ანარქიზმის ქვაკუთხედს, მის თეორ. საფუძველს. XIX ს. 40-იანი წლე-ბიდან ი. მშრომელი მასების რევ. მოძრა-ობის წინაალმდეგ იბრძოდა, ამასთან, ცდი-ლობდა მორალურად ეაკმაყოფილებინა ბურ-ჟუაზიის ბატონობა. თანამედროვე ეპოქა-ში კი ბურჟუაზია მას იყენებს კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის იდეურ იარაღად, ანტიკომუნიზმის მორა-ლური გამართლებისათვის, თითქოსდა პი-როვნების „თავისუფლების დასაცავად".

მარქსიზმის ფუძემდებლებმა მეცნიერუ-ლად გადაწყვიტეს პიროვნებისა და საზ-ბის დამოკიდებულების საკითხი. მათ დაასა-ბუთეს, რომ ადამიანის ბუნება აბსტრაქტუ-ლი კი არ არის, არამედ მოცემული ეპოქის ყველა საზ. ურთიერთობათა ერთობლიობა.

სოციალ. საზ-ბაში არსებითად იცვლება პიროვნებისა და საზ-ბის ბუნება, მათი ურ-თიერთდამოკიდებულება. აქ თითოეული პიროვნების თავისუფალი განვითარება მთელი საზ-ბის თავისუფალი განვითარების პირობაა. „ყველაფერი ადამიანისათვის"— ასეთია კომუნისტური პარტიის საპროგრა-მო დებულება. ამრიგად, სოციალიზმი მი-ზნად ისახავს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, რაც მთელი საზ-ბის კომუნი-ზმისაგან წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ინდივიდუალობა, რაიმე მოვლენის, ცალკეული არსების, ადამიანის განუმეორ-ებელი თავისებურება. უპირისპირდება ტი-პურს, როგორც ზოგადს, რაც დამახასია-თებელია მოცემული კლასის ყველა ელე-მენტის ან მისი უმეტესი ნაწილისათვის.

ინდიელები. თიხის სათა-მაშო. კარაიის ტომი, ბრა-ზილია. სსრკ მეცნიერება-თა აკადემიის ანთროპოლო-გიისა და ეთნოგრაფიის მუ-ზეუმი. ლენინგრადი.

ინდიელები. ჯერბლის სამ-კაულები. არაუკანის ტომი. ჩილე. ეთნოგრაფიული მუ-ზეუმი. ლაიფციგი.

ინდიელები. მოხატული კე-რამიკა. კარაკის ტომი. ბრაზილია. ეთნოგრაფიული მუზეუმი. ლაიფციგი.

O. სხვადასხვა მეცნიერებაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. მაგ., ბიოლოგიაში იგი ახასიათებს ამა თუ იმ ორგანიზმის სპეციფ. ნიშნებს. ფსიქოლოგიაში მისი პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, ცალკეული ადამიანის მთლიან დახასიათებასთან კავშირში ისმება; ზოგადად O. განიხილება როგორც ძირითადი სტრუქტურა, რ-იც ცალკეული ადამიანის მთლიანობასა და თავისებურებას განსაზღვრავს.

ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლება, მოკლევადიანი (6 თვემდე) სწავლების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც მუშებს უშუალოდ საწარმოში ამზადებენ. O.-ბ. ს. ეწყობა იმისდა მიხედვით, თუ რა სპეციალობის მუშახელი სჭირდებათ. მეცადინეობა ტარდება სასწავლო პროგრამებით; თეორ. მომზადებას — ტექ. ცოდნის საფუძვლების შესწავლას ეთმობა დროის 20%.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, მოქალაქის მიერ საცხოვრებელი სახლის აგება კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით. სსრკ-ის კონსტიტუცია უზრუნველყოფს O. ბ-ის განვითარებასა და ხელშეწყობას (მ. 13). მშენებლობისათვის საჭიროა გამოიყოს მიწის ნაკვეთი, გაიცეს პროექტი და სანოტარო წესით დამტკიცებული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის შესახებ. მიწის ნაკვეთს გასცემს შესაბამისი სახ. დეპუტატების რ-ნული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო აღმასკომები. O. ბ-თვის მიწის ნაკვეთი ქალაქში განისაზღვრება 300-იდან 600 $მ^2$-მდე, ხოლო ქალაქგარეთ — 700-იდან 1200 $მ^2$-მდე. საერთო წესით, ასაგები სახლის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 60 $მ^2$ საცხოვრ. ფართობს და 40 $მ^2$ დამხმარე ფართობს. ინდივიდუალურ ბინებს იშენებენ პირადი სახსრებითა და სახელმწ. სესხის გამოყენებით. სესხს აძლევენ სხვადასხვა რაოდენობითა და ვადით, ისე როგორც კანონითაა გათვალისწინებული (იხ. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წ. 5 ნოემბრის № 636 დადგენილება, „საბინაო კანონმდებლობის კრებული", თბ., 1966).

ზ. ჩიკვაშვილი.

ინდივიდუალური განვითარების ბიოლოგია, განვითარების ბიოლოგია, ონტოგენეტიკა, ბიოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ცხოველური ორგანიზმების ინდივიდუალური განვითარების (ონტოგენეზის) კანონზომიერებებს. O. ბ. ბ. იკვლევს *განაყოფიერებას,* ნაწილთა ურთიერთმოქმედებას ემბრიონულსა და პოსტემბრიონულ პერიოდში, განვითარების შინაგან და გარეგან ფაქტორებს, *მორფოგენეზს* (*ორგანოგენეზი* და *ჰისტოგენეზი*), დიფერენცირებას და გენეტ. ინფორმაციის რეალიზაციას განვითარების დროს, *ზრდას,* დაბერებას, *ტრანსპლანტაციას, რეგენერაციას* და სხვ. O. ბ. ბ. დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა XX ს. შუა წლებში *ემბრიოლოგიის* შემდგომი განვითარების შედეგად *გენეტიკის, ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიისა* და სხვ. მომიჯნავე დარგების მიღწევების საფუძველზე.

ლ. ნათაძე.

ინდივიდუალური კაპიტალი, საზოგადოებრივი კაპიტალის ნაწილი (ფულადი, საწარმოო ან სასაქონლო სახისა). კაპიტალ. საზ-ბაში იმყოფება ცალკეული კაპიტალისტების კერძო საკუთრებაში და გამოიყენება მოგების მისაღებად. O. კ. კერძო კაპიტალ. ეკონ. ძირითადი ერთეულია. მისი მოქმედების ფარგლები განისაზღვრება საზ. კვლავწარმოების ობიექტური პროპორციებით. O. კ-ის მოძრაობა, ისევე როგორც მთელი საზ. კაპიტალისა, მიმდინარეობს სტიქიურად კაპიტალ. წარმოების დისპროპორციისა და ანარქიის პირობებში. ამასთან, კაპიტალისტთა ერთი ნაწილის გამდიდრებასთან სდევს მეორის გაჩანაგება. O. კ-ის კონკრ. ფორმა დამოკიდებულია მის როლზე საზ. წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სტრუქტურაში. O. კ. შეიძლება იყოს სამრეწვ., სავაჭრო ან სასესხო. იგი კაპიტალ. წარმოებისი ურთიერთობის სპეციფ. უჯრედია და გულისხმობს ცალკეულ კაპიტალისტთა იურიდიულ, კომერც. და საწარმოო დამოუკიდებლობას (იხ. აგრეთვე *კაპიტალი, კაპიტალის წრებრუნვა და ბრუნვა*). *ქ. ლურწკაია.*

ინდივიდუალური რაკეტული ძრავა, მცირე სიმძლავრის რაკეტული ძრავა კაბინის გარეთ თავისუფალი ფრენის დროს კოსმონავტის გადაადგილებისა და მანევრირებისათვის. იგი შეიძლება იყოს ხელისა (კოსმონავტი O. რ. ძ-ს ისე მიმართავს, რომ წევის საჭირო მიმართულება მიიღოს) ან სკაფანდრზე დამაგრებული (კოსმონავტი რთავს O. რ. ძ-ს და მუშაობს სხეულს — აირს ან ერთკომპონენტიან რაკეტულ საწვავს — აწვდის ერთ ან რამდენიმე სხვადასხვანაირად განლაგებულ საქშენს).

ინდივიდუალური სამუშაო დრო, დრო, რ-იც იხარჯება საქონლის ერთეულის დამზადებაზე ცალკეული მწარმოებლის (საწარმოს) მიერ. O. ს. დ. დამოკიდებულია შრომის საშუალებების განვითარების დონეზე, წარმოების ორგანიზაციაზე, მუშის კვალიფიკაციაზე და ა. შ. სხვადასხვა მწარმოებელი ერთი და იმავე საქონლის წარმოებაზე შრომის სხვადასხვა რაოდენობას ხარჯავს, ბაზარზე კი ერთი და იგივე სახმარი ღირებულებანი ერთიან საბაზრო ფასად იყიდება, რასაც საფუძვლად უდევს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯით განსაზღვრული საქონლის ღირებულება. ეს წარმოშობს წინააღმდეგობას ინდივიდ. და საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას შორის კერძო საკუთრების პირობებში და იწვევს საქონელმწარმოებელთა დიფერენციაციას.

სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების არსებობა სპობს ანტაგონისტურ წინააღმდეგობას ცალკეულ საწარმოთა O. ს. დ-სა და საზ. აუცილებელ სამუშაო დროს შორის.

ინდივიდუალური ფსიქოლოგია, იხ. *დიფერენციალური ფსიქოლოგია.*

ინდივიდუალური წარმოება, წარმოების ტიპი, რ-იც უშვებს პროდუქციის ერთეულ (ცალობრივ) ეგზემპლარებს. მაგ., საცდელი საწარმოები, რ-ებიც პროდუქციის ექსპერ. ნიმუშებს აამზადებენ. შემოწმებისა და გამოცდის შემდეგ ნიმუში გადაეცემა საწარმოებს სერიული ანუ მასობრივი გამოშვებისათვის. O. წ. უშვებს აგრეთვე უნიკალურ პროდუქციას, გარდა ამისა, იღებს ინდივიდ. შეკვეთებს. O. წ-ში იყენებენ უნივერს. მოწყობილობებს; ტექნოლ. პროცესი ზუსტდება საამქროებში. პროდუქციის განსხვავებული ნომენკლატურა და შეკვეთების უნიკალურობა მოითხოვს უფრო კვალიფიცირებული მუშების შრომის გამოყენებას. O. წ. შრომატევადია. მისი თავისებურებანი მოითხოვს ცალკეულ უბნებზე მოიძებნოს შესაძლებლობა სერიული და მასობრივი წარმოების მეთოდების გამოსაყენებლად.

სამეცნ.-ტექ. პროგრესი ჯრობებში პროდუქციის ან. სახეობის უფრო დიდ რაოდენობით ათვისებასთან დაკავშირებით გაიზრდება O. წ-ის გაყოფნების სფერო.

ინდიკატორი (გვიანდ. ლაი. indicator < ლათ. indico — ვუჩვენებ, ვსაზღვრავ), მოწყობილობა, ხელსაწყო ან ელემენტი, რ-იც ასახავს პროცესის მიმდინარეობას ან განსაზღვრავს დასაკვირვებელი ობიექტის მდგომარეობას. განასხვავებენ ვიზუალურ, აკუსტიკურ, ტაქტილურს და სხვა სახის O-ებს. უფრო გავრცელებულია ვიზუალური O. (სასიგნალო, ისრიანი, ციფრული, სახვითი, პროექციული და სხვა სახის O-ები).

სასიგნალო O-ით,მაგ., ფერადი სასიგნალო ნათურით (ნახ. 1, ა), ადგენენ, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი (მწვანე ნათურა პროცესის ნორმალური მსვლელობის მაჩვენებელია, ყვითელი გაფრთხილებას იძლევა, რომ მეტი ყურადღებაა საჭირო, ხოლო წითელი პროცესის მსვლელობის დარღვევისა და საშიშროების მაუწყებელია). ციფრებიანი ან წარწერიანი ნათურების მეშვეობით ბრძანებას გამოცემენ ან ინფორმაციის რაოდენობას იტყობინებიან. ისრიან O-ს (ნახ. 1, ბ) იყენებენ გასაზომი ან საკონტროლო სიდიდეების (დრო, მანძილი, სიჩქარე) რიცხობრივ მნიშვნელობათა საჩვენებლად. ციფრული O. (ნახ. 1, გ) უზრუნველყოფს ჩვენებათა სწრაფად ათვლას. დოლურა, მრიცხველის, პანელებისა და სხვა სახის ციფრული O-ით ადგენენ ინფორმაციათა ზუსტ რაოდენობას. სახვითი (თვალსაჩინო) O. (ნახ. 2) გამოსახავს ობიექტის მდგომარეობას სივრცეში და ელექტრონულ-სხივური მილაკის ეკრანზე მრუდების და მახასიათებლების ცვლილებას აჩვენებს. პროექციული O., რ-იც პროექციული მოწყობილობისა და ეკრანისგან შედგება, მრავალი სახეობის რთულ ოპერაციებს გამოსახავს. არის აგრეთვე ვიზუალური კომბინირებული O. მისი მიზანია პროცესის მდგომარეობა და მისი მთავარი მახასიათებლები თვალსაჩინოდ გამოსახოს უშუალოდ ფარზე (გრაფიკ. პანელზე) ან ოპერატორის პულტზე (ნახ. 3). აკუსტიკურ O-ს იყენებენ ცუდი ხილვადობის დროს, როცა დამკვირვებლის მხედველობითი აღქმა გადატვირთულია ინფორმაციით ან მისი ყურადღება ვიზუალური O-ის მიმართ პასიურია. ნაკლებად გავრცელებულია ტაქტილური (შეგრძნების ორგანოებზე მოქმედი) O., რ-საც იყენებენ ვიზუალურთან ერთად მიღებულ სიგნალზე განსაკუთრებით სწრაფი რეაქციის მოსახდენად.

O-ს ფართოდ იყენებენ სამეცნ. კვლევის პროცესში, ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში. იგი იძლევა სიგნალს ავარიული მდგომარეობისა და სასწრაფო ინფორმაციის მიღების დროს, აადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და წარმოადგენს მანქანისა და ადამიანის დამაკავშირებელი ინფორმაციის ძირითად წყაროს.

ლიტ.: Ломов Б. Ф., Человек и техника, М., 1966; Пул Г., Основные методы и системы индикации, пер. с англ., Л., 1969; Электронные системы отображения информации, под ред. Дж. Ховарда, пер. с англ., М., 1966.

ინდიკატორული დიაგრამა, დგუშიანი მანქანის ცილინდრში აირის ან ორთქლის წნევის ცვლილებისა და დგუშის შესაბამისი გადაადგილების ან მუხლა ლილვის მობრუნების კუთხის ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკული გამოსახულება (ნახ.). პრაქტიკაში ნამდვილი O. დ. ავტომატურად გამოიხაზება სპეც. ხელსაწყოს (წნევის ინდიკატორის) საშუალებით. O. დ-ის ფართობი პროპორციულია მუშა სხეულის მიერ ცილინდრში ერთი ციკლის



ინდიკატორი. ნახ. 1. მაჩვენებელი ინდიკატორები: ა—სასიგნალო ნათურა; ბ—ისრიანი ინდიკატორი; გ—ციფრული ინდიკატორი.

ანმავლობაში შესრულებული მუშაობია. O. Ø. ჭარმოდგენას გვაძლევს შიგაწვის ძრავას (აბ კომპრესორის) მიერ შესრულებულ მუშაობაზე და მის სიმძლავრეზე. ჰუშა სხვული სასარგებლო მუშაობას ასრულებს მხოლოდ მუშა სვლის განმავლობაში. ამიტომ სასარგებლო მუშაობის დადგენად გაფართოების მრუდით (*zb*) შემოფარგლულ ფართობს უნდა გამოვაკლოთ კუმშვის მრუდით (*ac*) შემოფარგლული ფართობი. ასხვავებენ თეორ. და ამდვილ O. Ø-ს (იხ. ნახ.).

ინდიკატორული მცენარეები, მ ც ე ნ ა რ ე-ი ნ დ ი კ ა ტ ო რ ე ბ ი, მცენარეები, რ-ებიც დაკავშირებული არიან ამა თუ იმ ეკოლოგიურ პირობებთან და რ-თა მიხედვითაც განისაზღვრება ამ ეკოლ. პირობების თვისობრიობა და რაოდენობრიობა. O. Ø. შეიძლება იყოს როგორც ბახეობები, ისე შიგასახეობრივი ერთეულები, რ-ებიც ამა თუ იმ გარემო პირობების ზემოქმედებით კანონზომიერად და კანუწყვეტლივ წარმოიქმნება. ინდიკაციის ობიექტები ნიადაგი, ზოგიერთი ქანი, მიწისქვეშა წყლები, ესა თუ ის ქიმ. ელემენტი და სხვ. O. Ø-ის მიხედვით ადგენენ ნიადაგის მექან. შემადგენლობას და დამლაშების ხარისხს, მათვე იყენებენ ედაბნოში მტკნარი წყლის საძიებლად, ასარგებლო წიაღისეულის აღმოსაჩენად, მცენარეული საფრის ცვალებადობის ნაკითის დასადგენად და სხვ. საველე გამოკვლევებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინდიკაციური რუკებისა და ცნობარების მედგენას. O. Ø-ს ინდიკაციური გეობოტანიკა შეისწავლის.

ინდიუმი (indium), In, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 49, ატ. მასა 114,82, $t_{\text{დნ}}$ 156,2°C, $t_{\text{დუღ}}$ 2075°C, სიმკვრივე 7362 *კგ/მ*³, თეთრი მბზინავი რბილი ლითონი. ელემენტი შედგება ორი იზოტოპისაგან: ^{113}In (4,33%) და ^{115}In(95,67%). O. აღმოაჩინეს გერმ. მეცნიერებმა ფ. რაიხმა და ტ. რიხტერმა 1863.

O. ტიპური გაბნეული ელემენტია, მისი საშ. შემცველობაა ლითოსფეროში მასის მიხედვით 1,4 · 10⁻⁵%. O-ს მინარევების სახით შეიცავს თუთიის, ტყვიის, კალის სულფიდური მინერალები. ცნობილია O-ის სამი მინერალი: თვიანბადი O., როკეზიტი და ინდიტი. პრაქტ. მნიშვნელობისაა აფალერიტებში O-ის დაგროვება (0,1%-მდე, ზოგჯერ 1%).

ნაერთებში O. ძირითადად ამყოფებს 1, 2 და 3 ვალენტობას. O. ჰაერზე მდგრადია, 800°C-ზე ზევით კი იწვის მოიისფრო ლურჯი ალით და წარმოქმნის O-ის ანგს In_2O_3 — ყვითელ კრისტალებს, მჟავებში კარგად იხსნება. გაცხელებისას O. ადვილად უერთდება ჰალოგენებს და წარმოქმნის ჰალოგენიდებს $InCl_3$, $InBr_3$, InI_3; გოგირდთან კი — სულფიდებს In_2S_3, InS. O. იხსნება მჟავებში, ტუტეებში პრაქტიკულად უხსნარია. მიიღება თუთიის, ტყვიისა და კალის წარმოების ნარჩენებისა და შუალედი პროდუქტებისაგან. O-სა და მის ნაერთებს (მაგ., ნიტრიდი InN, ფოსფიდი InP, ანტიმონიდი InSb) ყველაზე ფართოდ ნახევრად გამტართა ტექნიკაში იყენებენ.

ლიტ.: Химия и технология редких и рассеянных элементов, под ред. К. А. Большакова, т. 1—2, М., 1965—69.

ინდიქტიონი (ბერძნ. indiktiōn, ლათ. indictio—გამოცხადება, განცხადება), ქრისტიანულ ქვეყნებში (შუა საუკუნეებისა და ნაწილობრივ ახალი დროის ისტ. ქრონოლოგიაში) წელთაღრიცხვის 15-წლიან ციკლში წლის რიგითი ნომრის სახელწოდება. *ბაპიროლოგიის* მონაცემებით, O-ით წელთაღრიცხვა რომის პერიოდის ეგვიპტეში ჩამოყალიბებულა. ბიზანტიაში იმპ. კონსტანტინე დიდს შემოუღია (312/313 — I ინდიქტიონი). ბიზანტიაში O-ის დაწყება სამოქალაქო ახალი წლის დღეს ემთხვეოდა. O-ის დასადგენად საჭიროა ახ. წელთაღრიცხვის წელს მივუმატოთ 3 და მიღებული ჯამი გაყოთ 15-ზე, ნაშთი იქნება O., რ-იც მნიშვნელოვანი საშუალებაა თარიღების სისწორის დასადგენად. O-ით წელთაღრიცხვის დროს გასათვალისწინებელია O-ის საწყისი თარიღი: ბიზანტიაში — 23 სექტ., ხოლო V ს. შუა წლებიდან 1 სექტ.; რომში 1087-მდე — 1 სექტ., შემდეგ კი—1 იანვ. (ან 25 დეკ.); ინგლისსა და გერმანიაში XIV ს. ბოლომდე — 24 სექტ., რუსეთში XVIII ს-მდე—1 სექტ. XVIII ს-ში შეწყდა O-ით წელთაღრიცხვა, შემორჩა მხოლოდ საეკლესიო აქტებში.

ქართ. წყაროებში O-ით აღინიშნებოდა აგრეთვე მეფეთა ტახტზე ასვლიდან I, II, III და ა. შ. წლები.

ინდიხენიზმი [ესპ. indigenismo<indigena—ადგილობრივი (მცხოვრები)], ი ნ დ ი ა ნ ი ზ მ ი (ესპ. indio—ინდური), მიმართულება საზოგადოებრივ აზროვნებაში, სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებში, სადაც ინდიელები შეადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს და შემორჩენილია ძვ. ინდიური კულტურის ტრადიციები. O. გავრცელდა 1920—30-იან წლებში, როცა მუშათა და გლეხთა მოძრაობის ზრდის გავლენით მხატვრებმა და მწერლებმა მიმართეს ინდიელთა ყოფა-ცხოვრების ასახვას. ინდიელების უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მექსიკელმა მხატვრებმა (დ. რივერა, ფ. გოიტია) და მწერლებმა (ე. აბრეუ გომესი, გ. ლოპეს-ი-ფუენტესი), აგრეთვე პერუს, ბოლივიისა და ეკვადორის ხელოვნებისა და ლიტ-რის მოღვაწეებმა.

ინდოევროპეისტიკა, ი ნ დ ო ე ვ რ ო პ ე ლ ი ნ ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ნაწილი, რ-იც შეისწავლის ინდოევროპულ ენებს, მათ ისტორიას, მათ ურთიერთმიმართებებს. ემყარება ინდოევრ. ენათა შორის ბგერათშესატყვისობებს, რაც ამ ენათა საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს.

O-ის ფუძემდებლები იყვნენ XIX ს. პირველ მეოთხედში ფ. *ბოპი* და რ. *რასკი*, რ-ებმაც საფუძველი ჩაუყარეს ისტ.-შედარებით ენათმეცნიერებას საერთოდ. თავისი არსებობის საუკუნენახევრის განმავლობაში O-მ დიდ წარმატებებს მიაღწია. იგი წამყვან როლს ასრულებს ისტ.-შედარებითი ენათმეც. განვითარებაში.

ინდოევროპული ენები, ენათა დიდი ოჯახი, რ-იც აერთიანებს ევრაზიის მონათესავე ენებს — თანამედროვეს თუ აწ მკვდარს. მსოფლიო ენათა შორის O. Ø. ყველაზე უკეთაა შესწავლილი. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოღწეულია უძველესი ტექსტები და მეცნიერებას საშუალება აქვს თვალი მიადევნოს ამ ენათა განვითარების ცალკეულ ეტაპებს. O. Ø. მოიცავს რამდენიმე ახლომონათესავე ენათა ჯგუფს: I. ხეთურ-ლუვიური ანუ ანატოლიური ენების ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია ხეთური, ლუვიური, ლიდიური, ლიკიური (მკვდარი ენები. უძველესი ტექსტები მოღწეულია ძვ. წ. XVIII ს-იდან; წარმოდგენილია რიტუალური, მითოლ., ისტ., სოც.-ეკონ., მხატვრული ლიტ-რა); II. ინდური (ინდოარიული) ჯგუფი — ძვ. ინდ. ენები: ვედური *სანსკრიტი* (უძველესი ტექსტები განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულსა და I ათასწლ. დასაწყისს; ცალკეული ძვ. ინდური სიტყვები შემოუნახავს II ათასწლ. წინააზიურ წყაროებს; ინდური ენების შესწავლა დაიწყო უძველეს ეპოქაში; ყველაზე ცნობილი — პანინის გრამატიკა განეკუთვნება ძვ. წ. IV ს.; საშ. ინდური ენები: პალი, პრაკრიტები და აპაბჰრანშა; ახ. ინდური ენები: ჰინდი, ურდუ, ბენგალური, პენჯაბური, სინდჰური, გუჯარათული, მარათული, ასამური, ორია, ნეპალური, სინჰალური, აწინკნური და სხვ. ჩამოყალიბდა ახ. წ. II ათასწლ. დასაწყისში. ინდურ ენათა ახლომონათესავედ მიიჩნევენ აგრეთვე ნურისტანის დარდულ ენებს; III. ირანულ ენათა ჯგუფი — ძვ. ირანული: ავესტური (უძველესი ტექსტებია — *ავესტის* საღვთო წიგნების კრებული, აქემენიდთა დინასტიის მეფეთა წარწერები), ძვ. სპარსული; საშ. ირანული: საშ. სპარსული, პართული, ხორეზმული, საკა, სოღდური და სხვ.; ახ. ირანული — სპარსული, ტაჯიკური, პუშტუ (ავღანური), ოსური, ქურთული, ბელუჯური, თათური, თალიშური, იაღნობური, აგრეთვე პამირის ენები; IV. სომხური ენა (უძველესი ტექსტები ახ. წ. V ს-იდან); V. ფრიგიული ენა (მოღწეულია ცალკეული სიტყვები, საკუთარი სახელები, მოკლე წარწერები; ათარიღებენ ძვ. წ. VI — ახ. წ. IV სს.; ვარაუდობენ სომხურ ენასთან ახლო ნათესაობას); VI. ბერძნული ენა დიალექტებითურთ (უძველესი ტექსტები შესრულებულია β-ხაზოვანი დამწერლობით. ათარიღებენ ძვ. წ. XV—XI სს. გამოიყოფა განვითარების 3 ძირითადი ეტაპი. შექმნილია უმდიდრესი ისტ., მხატვრული, რელიგ., ფილოს. ლიტ-რა. მისი შესწავლა ანტ. ხანაშივე დაიწყეს. მოღწეულ ტექსტებს შორის არის ბერძნ. ენის გრამატიკა და კომენტარები წინა პერიოდის ტექსტებისათვის); VII. თრაკიული ენა (გავრცელებული ყოფილა ბალკანეთის ნ.-კ-ის აღმ. ნაწილში); VIII. ილირიული ენა (გავრცელებული ყოფილა ბალკანეთის ნ.-კ-ის დას. ნაწილში; ძვ. ბერძნ. ტექსტებში დამოწმებულია ცალკეული სიტყვები და საკუთარი სახელები); IX. ალბანური ენა (განკერძოებით მდგომი ენა; გამოთქმულია ვარაუდი, რომ უნდა მომდინარეობდეს თრაკიულიდან ან ილირიულიდან); X. ვენედური ენა (ანუ ვენედთა ენა. ჩრდ. იტალიაში ნაპოვნია 200-მდე ვენედური წარწერა, რ-თაც ათარიღებენ ძვ. წ. V—ახ. წ. I სს-ით); XI. იტალიკური ენები — მიეკუთვნება აწ. მკვდარი ლათინური, ოსკური, უმბრიული (უძველესი ტექსტები განეკუთვნება ძვ. წ. VI ს.); XII. რომანული ენები — მომდინარეობს ლათ. ენიდან და მოიცავს თანამედროვე ესპანურს, პორტუგალიურს, ფრანგულს, პროვანსულს, იტალიურს, სარდინიულს, რეტორომანულს, რუმინულს, მოლდავურს, არომუნულს, აგრეთვე აწ მკვდარ დალმაციურს; XIII. კელტური ენები: გალური, ბრეტონული, უელსური, კორნუელსური, ირლანდიური, შოტლანდიური, გელური, მენური (უძველესი ტექსტები ჩაწერილია ოგამური ანბანით. მიაკუთვნებენ ახ. წ. IV ს.); XIV. გერმანიკული ენები: გუთური, შვედური, დანიური, ნორვეგიული, ისლანდიური, ფარერული, ძვ. ზემოგერმანული, ძვ. საქსონური, ძვ. ქვემოფრანკული, ძვ. ინგლისური, ფლამანდიური, ფრიზიული, გერმანული (უძველესი რუნული ტექსტები განეკუთვნება ახ. წ. III ს.; ბიბლიის თარგმანი გუთურ ენაზე—IV ს.); გერმანიკულ ენებში შედის აგრეთვე აფრიკაანსი (ბურების ენა) და იდიში (აღმ. ევროპის ებრაელთა მეტყველება), ნიდერლანდური; XV. ბალტიკური ენები: თანამედროვე ლიტვური, ლატვიური, აწ მკვდარი ძვ. პრუსიული და იატვიგური; XVI. სლავური ენები;—გამოინდიკატორი

ნახ. 2. ელექტრონულსხივურმილაკიანი სახვითი ინდიკატორი.



ნახ. 3. თვალსაჩინო კომბინირებული ინდიკატორი.



ინდიკატორული დიაგრამა. 4 – ტაქტიანი კარბიურატორიანი ძრავას თეორეული (პუნქტირი) და ნამდვილი (უწყვეტი ხაზები) ინდიკატორული დიაგრამები; r—შეშვების დასაწყისი; ra—შეშვების წერი; a—კუმშვის დასაწყისი; ac—კუმშვის წერი; c—კუმშვის დასასრული; cz—ღაწვის წერი; z—გაფართოების დასაწყისი; zb—გაფართოების წერი; b—გაფართოების დასასრული; br—გამოშვების წერი; p—წნევა; V—მოცულობა.

ინდიხენიზმი. ხ. სავოგალი. „კანონ ამაზონზე". 1937.

ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ინდოეთი

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 138
II. სახელმწიფო წესწყობილება . . . 138
III. ბუნება 138
IV. მოსახლეობა . . . 138
V. ისტორიული ნარკვევი 138
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 142
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი . 142
VIII. შეიარაღებული ძალები 143
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 143
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი . . 143
XI. ფილოსოფია . . . 144
XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია 144
XIII. ლიტერატურა . . .144
XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. 145
XV. მუსიკა 146
XVI. თეატრი 146
XVII. კინო. 146

ფოფა სამი ძირითადი ჯგუფი: აღმ. სლავური — რუსული, უკრაინული, ბელორუსული; დას. სლავური — პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, სერბულ-ლუჟიცური და აწ მკვდარი პოლაბური; სამხრ. სლავური— ძვ. სლავური, ბულგარული, მაკედონიური, სერბულ-ხორვატული, სლოვენური (უძველესი ტექსტები ახ. წ. X—XI სს.); XVII. ტოხარული ენები (ზოგჯერ საშ. ირანულ ენებსაც აკუთვნებენ; უძველესი ტექსტები ახ. წ. VI — VII სს.).

ლიტ.: Бенвенист Э., Индоевропейское именное словообразование, пер. с франц., М., 1955; Иванов В. В., Общеиндоевропейская, праславянская и анатолийская языковые системы, М., 1965; Мейе А., Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, пер. с франц., М.—Л.,1938; Brugmann K., Delbrück B., Grundriß der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen, Bd. 1—5, Stras., 1897—1916.

ინდოეთი (ჰინდი ენაზე — ბჰარატა), ინდოეთის რესპუბლიკა.

I. ზოგადი ცნობები

ი. — სახელმწიფო სამხრ. აზიაში, ინდოეთის ოკ. აუზში. ი. მდებარეობს სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნების ევროპასა და აზიასთან დამაკავშირებელ მნიშვნელოვან საზღვ. და საჰაერო გზაზე. ტერიტორიის მაქს. სიგრძე ჩრდ-იდან სამხრ-კენ 3200 *კმ*, დას-იდან აღმ-კენ — 2700 *კმ*. ი-ის შემადგენლობაში შედის ლაკადივის, ამინდივის, ანდამანისა და ნიკობარის კ-ები. ი-ს ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება პაკისტანი და ავღანეთი, ჩრდ-ით — ჩინეთი და ნეპალი, ჩრდ.-აღმ-ით — ბჰუტანი და ბანგლადეში, აღმ-ით — ბირმა; დას-ით აკრავს არაბეთის ზღვა, აღმ-ით — ბენგალის ყურე. სახმელეთო საზღვრის სიგრძეა დაახლ. 15 ათ. *კმ*, საზღვ. საზღვრისა — 5,5 ათ. *კმ*-ზე მეტი. ფართ. 3287,6 ათ. *კმ*², მოსახლ. 634 მლნ-ზე მეტი კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი — დელი. ოფიც. ენები — ჰინდი და ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 26 იანვ. — რესპუბლიკის დღე (1950). ოფიც. *კალენდარი* — ეროვნ. (საკას ერა) და გრიგორიანული. ფულის ერთეულია ინდ. რუპია. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 თებ.) 100 რუპია = 8,01 მანეთს.

ადმინისტრაციულად ი. იყოფა 22 შტატად და 9 მოკავშირე ტერიტორიად.

II. სახელმწიფო წესწყობილება

ი. ფედერაციული რესპუბლიკაა (შტატების კავშირი). მოქმედებს კონსტიტუცია, რ-იც ძალაში შევიდა 1950. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, რ-იც შედგება პრეზიდენტისა და ორი პალატისაგან: სახალხო პალატისა (მოსახლ. ირჩევს 6 წლით) და შტატების საბჭოსაგან (დეპუტატთა უფლებამოსილების ვადაა 6 წელი). საარჩევნო უფლება მოქალაქეებს ეძლევათ 21 წლის ასაკიდან. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევენ პარლამენტისა და შტატების საკანონმდებლო კრების წევრები 5 წლით. იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობის წევრებს, უმაღლესი სასამართლოს წევრებს; უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი, შეცვალოს შტატების მთავრობა, გამოსცეს საგანგებო კანონები; არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სხვ. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო (მთავრობა).

ყოველ შტატს აქვს საკანონმდებლო კრება (ლეჯისლეიჩარია), რ-შიც შედის გუბერნატორი და ერთი ან ორი პალატა. შტატებში აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის გუბერნატორს, რ-ის უფლებამოსილებას პრაქტიკულად ახორციელებს მინისტრთა საბჭო. ცენტრ. ხელისუფლება ოლქებში ნიშნავს კომისრებსა და კოლექტორებს, სოფლებში — მამასახლისებს. სოფლებს საკუთარი საარჩევნო ორგანოები (პანჩაიატები) აქვს. ოლქებში ირჩევენ საოლქო საბჭოებს, ხოლო ქ-ებში — მუნიციპალიტეტებს. სასამართლო სისტემაში შედის: უზენაესი სასამართლო, რ-იც ამავე დროს კონსტ. ზედამხედველობის ორგანოა, შტატების უმაღლესი სასამართლოები და ოლქების ქვედა ინსტანციის სასამართლოები.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

ი-ის ტერიტ. მოიცავს *ინდოსტანის ნახევარკუნძულს, ჰიმალაიისა* და *ყარაყორუმის* ნაწილს, *ინდ-განგის ვაკის* აღმ. ნაწილს, კუნძულთა ჯგუფებს ბენგალის ყურესა და არაბეთის ზღვაში. სანაპირო ზოლის სიგრძეა დაახლ. 12 ათ. *კმ*. ნაპირები უმთავრესად დაბალია, ქვიშიანი, სუსტად დანაწევრებული.

ი-ის ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს *დეკანის ზეგანს*. ზეგნის დას. კიდეს ქმნის *დასავლეთი გატები* (სიმაღლე 2698 *მ*-მდე), ჩრდ-ით ვინდჰიის მთებია (სიმაღლე 881 *მ*-მდე), ჩრდ.-აღმ-ით — ჩოტა-ნაგპურის პლატო (საშ. სიმაღლე დაახლ. 600 *მ*). დეკანის ზეგნის აღმ. კიდეს ქმნის *აღმოსავლეთი გატები* (სიმაღლე 1680 *მ*-მდე).

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, რკინისა და მანგანუმის მადანი, ოქრო, ნავთობი, ქარსი, ბოქსიტები.

ჰავა სუბეკვატორული მუსონურია, ჩრდ-ით — ტროპიკული. გამოირჩევა 3 სეზონი: ცხელი, ნოტიო, როცა გაბატონებულია სამხრ.-დას. მუსონი (ივნ.—ოქტ.); მშრალი, შედარებით გრილი, როცა გაბატონებულია ჩრდ.-აღმ. პასატი (ნოემბ.—თებ.); ძლიერ ცხელი, მშრალი, გარდამავალი (მარტი—მაისი). ბარში იანვ. საშ. ტემპერა 15°C-იდან (ჩრდ-ით) 27°C-მდეა (სამხრ-ით), მაისში 28—35°C (ზოგჯერ 45—47°C); მთაში იანვ. საშ. ტემპ-რაა —1°C, —8°C, ივლისისა 18—23°C. ნალექები ინდ-განგის ვაკის სამხრ.-დას. ნაწილში 100—150 *მმ* წელიწადში, დეკანის ზეგნის ცენტრ. ნაწილში 500—700 *მმ*, დეკანის განაპირა მთებსა და ჰიმალაიში 3—6 ათ. *მმ*, შილონგის პლატოზე (ყველაზე ნოტიო ადგილი დედამიწაზე) — 12 ათ. *მმ*-მდე.

მდინარეთა უმეტესობა წყალუხვია ზაფხულში, რაც გამოწვეულია თოვლისა და მყინვარების დნობითა და ზაფხულის მუსონური წვიმებით. მთავარი მდ-ებია: ინდი (ზემო დინება), განგი, ბრაჰმაპუტრა, ნარბადა, გოდავარი, კრიშნა. მდ-ები ფართოდაა გამოყენებული სარწყავად და სანაოსნოდ. ყველაზე დიდი ტბაა ვულარი.

ი-ის ტერიტ. დიდი ნაწილი წითელმიწებს უჭირავს. ინდოსტანის ნ.-კ-ის ცენტრ. და ინდ-განგის ვაკის ჩრდ.-დას. ნაწილში წითელ-მურა და მოწითალო-მურა ნიადაგებია, ინდ-განგის ვაკესა და სანაპირო დაბლობზე — ალუვიური. ჰიმალაიის ქვემო სარტყელში დას-ით მთის ყავისფერი, აღმ-ით — ყვითელმიწა, მაღლა — მთა-ტყის ყომრალი, ეწერი და მთა-მდელოს ნიადაგებია.

დეკანის ზეგნის უმეტეს ნაწილზე ფოთოლმცვივანი და მარადმწვანე ტროპ. ტყეა, რ-საც ზოგან სავანა და ქსეროფიტული ნათელი ტყე ენაცვლება. ქვეყნის მშრალ ჩრდ.-დას. რ-ნებში სავანა და ნათელი ტყეა, ზოგან — ბუჩქნარიანი ნახევარუდაბნო. ჰიმალაიისა და ყარაყორუმში ნათლად ჩანს სიმაღლეებრივი სარტყლურობა. აქ მთის ტროპ., სუბტროპ. და ზომიერ ტყეებს ზემოთ სუბალპ. ბუჩქნარი და მდელოებია, მათ ზემოთ კი — ალპ. მდელოები. ი-ის ბუნებრივი მცენარეულობა ძლიერ სახეშეცვლილია.

ი-ის ფაუნა განეკუთვნება *ინდომალაის ოლქს*. ძუძუმწოვრებიდან ყველაზე უფრო დამახასიათებელია მაიმუნი, ირემი, ანტილოპა, გაური, ინდ. კამეჩი, აგრეთვე ინდ. სპილო, ჯეფხვი, ავაზა, ჰიმალაის დათვი. თითქმის მთლიანადაა განადგურებული ლომი, ჯიქი, ქაშმირის ირემი. მდიდარია ფრინველთა, ქვეწარმავალთა და თევზების სამყარო.

ი-ში 47 ნაკრძალი და ეროვნ. პარკია.

ლიტ.: Кришнан М. С., Геология Индии и Бирмы, пер. с англ., М., 1954; Рябчиков А. М., Природа Индии, М., 1950.

IV. მოსახლეობა

ი. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი ქვეყანაა. ცხოვრობს სოც.-ეკონ. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე რამდენიმე ასეული ერი, ეროვნება და ტომი. ქვეყნის ცენტრ. და ჩრდ. ნაწილში მცხოვრები ხალხები: ჰინდუსტანელები (საერთო რაოდ. 168 მლნ.), მარათები (47 მლნ. კაცი), ბენგალელები (44 მლნ. კაცი), ბიჰარები (40 მლნ. კაცი), გუჯარათელები (27 მლნ. კაცი), ორია (20 მლნ. კაცი), რაჯასტანელები (20 მლნ. კაცი), პენჯაბელები (14 მლნ. კაცი), ასამელები (8,5 მლნ. კაცი), ბჰილები (3 მლნ. კაცი) და სხვ. ლაპარაკობენ ინდოევრ. ენათა ოჯახში შემავალ ინდოარიული ჯგუფის ენებზე. დარდულ ენათა ჯგუფს განეკუთვნებიან ქაშმირელები. სამხრ. ი-ში ცხოვრობენ ძირითადად დრავიდულ ენათა ოჯახის ხალხები: ტელუგუ ან ანდჰრა (48 მლნ. კაცი), ტამილები (40 მლნ. კაცი), კანადა (23,5 მლნ. კაცი), მალაიალები (22 მლნ. კაცი), გონდები, ორაონები, კუი და სხვ. მცირე ხალხები (სულ. 5 მლნ. კაცი). ცენტრ. ი-ის მთიან რ-ნებში ცხოვრობენ მუნდა ენათა ოჯახში შემავალი ხალხები: სანტალები, მუნდა სავარა და სხვ. (სულ. 5,7 მლნ. კაცი). ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-ით ნეპალის, ჩინეთისა და ბირმის საზღვრებთან ცხოვრობენ ტიბეტურ-ბირმულ ენებზე მოლაპარაკე მთიელი ხალხები და ტომები: გარო, ბოდო, ტრიპურა, ბალტი და სხვ. (სულ 3 მლნ. კაცზე მეტი). მოსახლ. უმრავლესობის (83%) რელიგიაა ინდუიზმი, არიან ისლამის (10%), ქრისტიანობის (2,4%), ბუდიზმის (1,7% მეტი), ჯაინიზმის (დაახლ. 0,5%) მიმდევრები. აგრეთვე ზოროასტრელები და იუდაისტებიც. ზოგიერთი მთის ხალხი ინარჩუნებს ძვ. რწმენებს (წინაპრებისა და ბუნების ძალთა კულტი და სხვ.).

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 70% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ მწვავე პრობლემად რჩება უმუშევრობა.

ი. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 192 კაცი 1 *კმ*²-ზე (1978). ყველაზე მაღალი სიმჭიდროვეა ინდ-განგის ვაკეზე, სადაც თავმოყრილია ქვეყნის მთელი მოსახლ. თითქმის 2/5, და სამხრ. სანაპირო რ-ნებში. სიმჭიდროვით განსაკუთრებით გამოირჩევა უტარ-პრადეშის, ბიჰარის, დას. ბენგალის შტატები (300—500 კაცი 1 *კმ*²-ზე), სამხრეთში — ტამილნადი და კერალა. შედარებით ნაკლები სიმჭიდროვეა განაპირა მთიან და უდაბნო რ-ნებში (30—100) კაცი 1 *კმ*²-ზე), აგრეთვე დეკანის ზეგნის ზოგიერთ შიგა რ-ნში.

მოსახლ. დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. უდიდესი ქ-ებია (მლნ. მცხ., 1978) კალკუტა — 8 მლნ-ზე მეტი (გარეუბნებიანად), ბომბეი — 7,6, დელი — დაახლ. 4,9, მადრასი, ჰაიდარაბადი, აჰმადაბადი, ბენგალურუ, კანპური, პუნა.

V. ისტორიული ნარკვევი

არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობს, რომ ი-ის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ

ადევ ქვის ხანაში უცხოვრია. ინდ. პირ-ელ საზ-ებს პირველყოფილი თემური ობილება ჰქონდათ. ვარაუდობენ, რომ ველესი კლასობრივი საზ-ბა ინდის ელსა და მის შემოგარენში ძვ. წ. III—ათასწლეულებში არსებობდა.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში -ში მკვიდრდებიან *არიელები*, რ-თა პირ-ელსამშობლო, მკვლევართა აზრით, ავ-ანეთი და მისი მომიჯნავე ტერიტორიები ნდა ყოფილიყო. *ვედასა* და სხვა წყა-ების მიხედვით, არიელი ტომები მე-ხოველეობასთან ერთად მისდევდნენ მი-ათმოქმედებასა და ხელოსნობას, ვაჭ-ობას. გაჩნდა კერძო საკუთრება, ქონებ-ივი უთანასწორობა, ჰყავდათ ტომური რისტოკრატია, რ-თა ხელში იყო ძალაუფ-ება.

ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში ჩრდ. -ში აღმოცენდა რამდენიმე მონათმფლო-ელური სახელმწიფო. მონათმფლობელურ ახელმწიფოთა თავისუფალი მოსახლ. 4 ოდებრივი ჯგუფის (ვარნა): ბრაჰმანების, შატრიების, ვაიშიებისა და შუდრებისა-ან შედგებოდა. ამათგან პირველ ორს რივილეგიური მდგომარეობა ეჭირა. ბო-ობას ძირითადად პატრიარქალური ხა-იათი ჰქონდა.

ძვ. წ. VI—IV სს-ში ეკონ. პროგრესმა რსებითი ცვლილებები შეიტანა ძვ. ინდ. აზ-ბის ცხოვრების პირობებში. ძვ. წ. IV -იდან *მაგადჰაში* ჩამოყალიბდა განვითა-ებული მონათმფლობელური ურთიერთო-ა, გაძლიერდა მონათმფობელთა კლასი. რაჰმანებისა და ქშატრიების ხელში ოექცა მწარმოებელთა მიერ შექმნილი როდუქციის დიდი ნაწილი. გაიზარდა ვა-ართა ეკონ. წონა, ვაიშიებისა და სხვა ფე-ების (მაგ., ხელოსნების) მდგომარეობა ი მკვეთრად შეირყა. განსაკუთრებით მძი-ე პირობებში აღმოჩნდნენ შუდრები (თე-ის მსახურები). მწარმოებელთა ექსპლუა-აციის ინტენსიფიკაციამ გაამწვავა სოც.-ლასობრივი წინააღმდეგობანი. ამის გა-ოხატულება იყო რელიგ.-სექტანტური მო-რაობის წარმოშობა, რ-საც გამოეყო *ბუ-ეიზმი* და *ჯაინიზმი*.

მაგადჰა დროდადრო დამპყრობლურ ომებს აწარმოებდა, რ-თა შედეგადაც მ სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა განი-ის თითქმის მთელი ველი და სხვა მიწე-ი. ძვ. წ. VI ს. დამლევს ჩრდ.-დას. ი-ის ეოგიერთი რ-ნი *აქემენიდების* იმპერიის ვარგლებში მოექცა. ძვ. წ. 327—325 ი-ში ჰეიჭრა *ალექსანდრე მაკედონელი* (მდ. ინასამდე მიაღწია). მაგადჰის ექსპანსია *საურიების* დინასტიის (დამაარსებელი ანდრაგუპტა) გამგებლობაშიც გრძელ-დებოდა. მეფე *აშოკას* დროს მაურიები თითქმის მთელ ი-ში ბატონობდნენ. მათ ჰქმნეს მძლავრი ადმ. და სამხ. აპარატი. ამიდა წინააღმდეგობებმა და ი-ში ბაქტ-რიელი ბერძნების (იხ. *ბერძნულ-ბაქტრი-ული სამეფო*) შეჭრამ შეარყია მაურიების ბლიერება. II—IV სს-ში დაიწყო მონათ-ფლობელური წყობილების რღვევა და ეოდ. ურთიერთობის ჩასახვა.

V—VI სს. მიჯნაზე ი-ში დამკვიდრდა ადრინდ. ფეოდალიზმი. VII ს-ში მეთემე �lebebi ფეოდ. ექსპლუატაციას განიც-დიდნენ. მიწის ყველაზე მსხვილი ფეოდა-ური მფლობელები სახელმწიფოთა გამგებ-ლები იყვნენ. ისინი მიწებს უწყალობებდნენ დიდ მოხელეებს ან საჩუქრად აძლევდნენ ტაძრებს. გლეხები გაერთიანებული იყვ-ნენ სასოფლო თემებში და მისდევდნენ ნატურალურ მეურნეობას. ფეოდ. ხანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქები — ფეოდ. სახელმწ. ადმ. ცენტრები. ქ-ების ხელოსნები, გლეხების მსგავსად, ფეო-დალებს ექვემდებარებოდნენ. საგარეო ვაჭ-რობაც ფეოდალთა ინტერესებს ემსახურე-ბოდა. შინავაჭრობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. შრომის დანაწილე-ბის ზრდასთან ერთად გაიზარდა კასტების რიცხვი. გაბატონდა *ინდუიზმი*, რ-მაც დააკანონა საზ-ბის კასტური დაყოფა.

VI—XII სს-ში ი-ში მრავალი სახელ-მწიფო არსებობდა, რ-ებსაც გამუდმებული ომი ჰქონდათ ერთმანეთთან. XII—XIII სს. მიჯნაზე ჩრდ. ი. დაიპყრო ღურიდების სახელმწიფოს მმართველმა მუსლიმანმა *მუჰამად ღურიმ*. მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ნაცვლებმა არ ცნეს ღურიდების ხელისუფლება და მათ მიერ დაპყრობილ ი-ში შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, რ-ის ცენტრი იყო ქ. დელი (იხ. *დელის სასულ-თნო*). ამ დროიდან ი-ში ვრცელდება *ის-ლამი*. დელის სულთნებმა შეძლეს მონ-ღოლთა შემოსევების მოგერიება, თავიანთ ბატონობას დაუმორჩილეს დეკანის დიდი ნაწილი და მთელი მიწები სულთნის საკუ-თრებად გამოაცხადეს. ამ მიწებიდან სულ-თნები იღებდნენ რენტა-გადასახადს (ფეო-დალები საგადასახადო იმუნიტეტით სარ-გებლობდნენ). სულთნების ხაზინაში შე-დიოდა აგრეთვე სულადი გადასახადი არა-მუსლიმანებზე — ჯიზია, ბაჟი და საბაჟ-რო შემოსავალი.

დელის სასულთნოს პერიოდში მნიშვნე-ლოვნად გაიზარდა საწარმოო ძალები, აშენდა მსხვილი საირიგაციო ნაგებობანი, განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. მაგ-რამ XV ს. დასაწყისისათვის *თემურლენგ-თან* დამარცხებასა (1398) და მომძლავრე-ბულ ფეოდალთა ამბოხებებს შედეგად მოჰყ-ვა დელის სასულთნოს დაცემა.

XVI ს. I ნახევარში ი-ის ზოგიერთ ზღვისპირა პუნქტში (გოა, დამანი, დიუ) პორტუგ. კოლონიზატორები დამკვიდრ-დნენ. მათ დაიმონეს დაპყრობილი ტერი-ტორიების მოსახლეობა. პორტუგალიელთა მეკობრეობამ ინდოეთის ოკეანეზე დიდი ზიანი მიაყენა ი-ის სამეფო-სამთავროების საზღვ.-საგარეო ვაჭრობას, მაგრამ ამას-თანავე ბიძგი მისცა სახმელეთო ვაჭრობის გაძლიერებას ჩრდ. ი-ში (პენჯაბი), რა-მაც ნიადაგი შეამზადა ქვეყნის პოლიტ. დაქუცმაცებულობისა და ფეოდ. ანარქიის ლიკვიდაციისათვის. ჩრდ. ი. გააერთიანა *დიდი მოგოლების* დინასტიამ, რ-ის დამა-არსებელმა *ბაბურმა* 1526 პანიპატის ბრძო-ლაში დაამარცხა დელის სულთანი და და-პყრო დელის სასულთნო.

დიდ მოგოლთა მუსლ. დინასტიის ხელისუფლება განმტკიცდა ფადიშაჰ *აქ-ბარის* (სახელმწიფოს მართავდა 1556—1605) დროს, მან საგრძნობლად გააფარ-თოვა სახელმწ. საზღვრები და შექმნა ძლიერი ცენტრალიზებული მმართველო-ბა. მაგრამ მისი უახლოესი მემკვიდრეების (ჯაჰანგირი, შაჰ-ჯაჰანი) მმართველობის ხანაში, განსაკუთრებით კი *აურანგზების* (სახელმწიფოს მართავდა 1658—1707) დროს დიდ მოგოლთა იმპერია დაცემის გზას დაადგა. XVIII ს. I ნახევარში იგი დაიშალა.

XVII ს. დამდეგს ი-ში მოვიდნენ ჰო-ლანდ., ინგლ. და ფრანგი კოლონიზატო-რები. მათ ბოლო მოუღეს პორტუგალიელ-თა მონოპოლიას. ი-თან საზღვ. ვაჭრობა-ში და თავიანთი ოსტინდ. კომპანიების მეშვეობით არაეკვივალენტური ვაჭრობა გააჩაღეს სანაპიროების მოსახლეობასთან. საგარეო და საშინაო ვაჭრობის ზრდას თან მოჰყვა გლეხობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რამაც გამოიწვიაXVII—XVIII სს-ში გლეხობისა და ქალაქის ღარიბობის აჯანყება პენჯაბში, მვთემე ჯატებისა და „მიუკარებელთა" კასტის ხელოსანთა აჯან-ყება აგრის საბრ.-დას-ით და მარათების აჯანყება.

მარათებმა მძიმე ბრძოლების შემდეგ შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, *შივაჯის* მეთაურობით, რ-მაც 1674 რაჯის ტიტუ-ლი მიიღო. მისი სიკვდილის შემდეგ (1680) ფადიშაჰმა აურანგზებმა შეძლო მარათე-ბის დამარცხება და თითქმის მთელი ი-ის დამორჩილება. აჯანყებულ ხალხთან და მეამბოხე ფეოდალებთან განუწყვეტელ-მა ომმა დაასუსტა დიდ მოგოლთა სახელ-



დამოუკიდებლობის მე-13 წლისთავის ზეიმი. პრემი-ერ-მინისტრი ჯ. ნერუ მა-სობრივ მიტინგზე.

მწიფო. 1739 ი-ში შეიჭრა ირანის მბრძა-ნებელი *ნადირ-შაჰი*, რ-მაც ხელთ იგდო და გაძარცვა დელი. 1747-იდან ი. აღ. ტომთა თავდასხმების ობიექტი გახდა. ავ-ღანელთა ამირა *აჰმად-შაჰ დურანისთან* პანიპატის ბრძოლაში სასტიკმა დამარცხე-ბამ (1761) საბოლოოდ დასცა და დაშალა დიდ მოგოლთა სახელმწიფო. ფაქტობრი-ვად იგი დამოუკიდებელ სამთავროთა (გვალიორი, ბაროდა, ნაგპური, ინდორი, მაჰარაშტრა) კონფედერაციად გადაიქცა.

დიდ მოგოლთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ ფეოდ. სახელმწიფოსა და სამთავროებს შორის განუწყვეტელმა ომე-ბმა საფრ. და ინგლ. ოსტინდ. კომპანიებს სავაჭროდან სამხ. ექსპანსიაზე გადასვლის ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. ი. მათი ქიშპობის ობიექტი გახდა. ეს ხანგ-რძლივი ბრძოლა ინგლ. გამარჯვებით დამთავრდა. ინგლ. ოსტინდ. კომპანიამ თავდაპირველად ბენგალი დაიპყრო (1746—63), *ინგლის-მაისურის ომების* (1767—99) შედეგად კი — სამხრ. ი-ის დიდი ნა-წილი. 1801—03 ინგლ. კოლონიზატორებ-მა თავიანთი ბატონობა გააფართოეს ჯამ-ნა-განგის შუამდინარეთსა და დელიზე, რის შედეგადაც დიდ მოგოლთა უკანასკ-ნელი წარმომადგენლები ინგლისელთა უფლებო მარიონეტებად იქცნენ. *ინგლის-მარათის ომებმა* (1775—1818) ბოლო მოუ-ღო მარათების სახელმწიფოს. *ინგლისელ-ებისა და სიქების ომებში* (1845—49) გა-მარჯვებით ინგლ. კოლონიზატორებმა პენ-ჯაბიც თავიანთ კოლონ. სამფლობელოდ აქციეს და ამით ფაქტობრივად დაამთავრეს ი-ის დაპყრობა.

ინგლ. კოლონ. დაპყრობებმა ძირეულ-ად შეარყია ი-ის სოც.-უკონ. საფუძვლე-ბი. კომპანიის მოხელეების, ვაჭრებისა და მხედრიონის მიერ ი-ის ძარცვა (ტაძრების ჩათვლით) ინგლისში კაპიტალის პირველან-დელი დაგროვების ერთ-ერთ წყაროდ იქ-ცა. ინგლ. ოსტინდოეთის კომპანიამ გაა-ჩანაგა ინდ. ხელოსნობა და საგრძნობლად შეარყია ინდ. ვაჭართა მდგომარეობაც. ინგლისის მიერ ადგილ. ნედლეულის მუქ-თად ჩაგდებამ ხელში და ინგლ. სამრეწვ. ნაწარმის გაბატონებამ ქვეყნის ბაზარზე XVIII ს. დამლევიდან გააჩანაგა ი-ის ფეიქარ-ხელოსნები, შინამრეწველები და გააუკაცრიელა მთელი ოლქები. 1773 ინგლ. სამრეწვ. ბურჟ. მოთხოვნით ინგლ. პარლამენტმა მიიღო პირველი აქტი ი-ის მართვის შესახებ. ოსტინდ. კომპანიის საქ-მიანობა ინგლ. პარლამენტის კონტროლს დაუქვემდებარა და კალკუტაში დაინიშნა

მ, განდი (მარცხნიდან მე-სამე წინა რიგში) ეროვნულ-ი კონგრესის წევრებს შორის, ბომბეი.

ინდოეთის ენები

სახელმწიფო ენა — ჰინდი
მეორე სახელმწიფო ენა — ინგლისური

შტატების ოფიციალური ენები

შტატი	ენა
ასამი	— ასამური
დას. ბენგალი, ტრიპურა	— ბენგალური
გუჯარათი	— გუჯარათული
უტარ-პრადეში, მადჰია-პრა-დეში, რაჯასტანი, ჰიმა-ჩალ-პრადეში, ბიჰარი, ჰა-რიანა	— ჰინდი
მაისური	— კანადა
ჯამუ, ქაშმირი	— ქაშმირული
კერალა	— მალაიალამური
მაჰარაშტრა	— მარათული
ორისა	— ორია
პენჯაბი	— პენჯაბური
ტამილნადი	— ტამილური
ანდჰრა-პრადეში	— ტელუგუ
მეგჰალაია	— ქასი
მანიპური	— მანიპურული
ნაგალენდი	— ინგლისური

სხვა ოფიციალური ენები

სანსკრიტი (მკვდარი, საკულტო ენა), ურდუ (უმ-თავრესად მუსლიმანთა შორის).

გენ.-გუბერნატორი (პირველი იყო უორენ ჰეისტინგზი; 1774—85). 1813 ამ კომპანიას ჩამოერთვა ი-თან ვაჭრობის მონოპოლიის უფლება, 1833 კი გაუქმდა მისი სავაჭრო ფუნქციები და დარჩა მხოლოდ ი-ის კოლონ. მართვის ფუნქციები. XIX ს. შუა ხანებისათვის ი. გახდა ინგლ. სასურსათო-სანედლეულო დანამატი და ინგლ. სამრეწვ. ნაწარმის გასასაღებელი ბაზარი.

XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგს ინგლ. კოლონიზატორებმა ი-ს თავს მოახვიეს *ზამინდარის, რაიათვარის,* მაჰალვარის საადგილმამულო-საგადასახადო სისტემები, რითაც ინდ. გლეხობის ფეოდ. ექსპლუატაცია შეუგუეს ქვეყნის კოლონ. დამონების საჭიროებებს. ქვეყნის მზარდ კოლონ. ექსპლუატაციას ინდ. ხალხებმა მასობრივი წინააღმდეგობით უპასუხეს. ანტიკოლონ. აჯანყებათა უმეტესობას რელიგ. საფარველი ჰქონდა. ახ. ვითარებამ ი-ში მოამზადა ნიადაგი საგანმან. მოძრაობის აღმოცენებისათვის. მისი მამამთავარი და იდეოლოგი იყო ბენგალელი განმანათ. რამოჰან *რაი* (1772—1833).

ინგლისელთა კოლონ. ბატონობის ობიექტური შედეგები ი-ში (ზემოაღნიშნულთან ერთად) იყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შემდგომი ზრდა, ინდ. კომპრადორული ბურჟ. გაჩენა, საფეიქრო (ბამბის, ჯუთის) ნედლეულის გადასამუშ. ფ-კების აგება, ირიგაციის გაუმჯობესება, ჩაის გაშენება, კაპიტალ. წარმოების წესის ფორმირება და ევრ. განათლების გავრცელება.

XIX ს. 30—50-იან წლებში ი-ში მოხდა რამდენიმე დიდი აჯანყება. ქვეყნის კოლონ. ექსპლუატაციას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდნენ ჯამნა-განგის შუამდინარეთისა და ბენგალის გლეხები და ხელოსნები. ინგლ. კოლონიზატორების მიერ *აუდის* ანექსიამ იქაური ფეოდალებიც აამხედრა მათ წინააღმდეგ. ეს გახდა იმის საბაბი, რომ სწორედ აქ 1857—59 დაიწყო მძლავრი სახ. აჯანყება (იხ. *ინდოეთის სახალხო აჯანყება 1857—59*), რ-იც შემდეგ ქვეყნის სხვა მხარეებშიც გავრცელდა. აჯანყებამ ღრმა კვალი დააჩნია ი-ის შემდგომ განვითარებას. 1858 გაუქმდა ოსტ-ინდ. კომპანია და ი. ინგლ. სამეფო კოლონია გახდა.

XIX ს. დამლეგისათვის ინგლ. გაბატონებულმა კლასებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ი-ის კოლონ. ძარცვა. ი. ინგლ. ფინანს. კაპიტალის სარფიანი დაბანდების ობიექტი გახდა (ძირითადად სარკინიგზო ტრანსპორტსა და ირიგაციაში, საპლანტაციო მეურნეობებში, საფეიქრო და ქვანახშირის მრეწველობაში). სწრაფად იზრდებოდა ეროვნ. კაპიტალი (შინავაჭრობა, ბამბის მრეწველობა). ინგლ. ბურჟუაზია კოლონ. აპარატისა და საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით ყოველმხრივ აფერხებდა ი-ის დამოუკიდებელ ეკონ. განვითარებას. ზემოაღნიშნულმა პროცესებმა გაამწვავა კლასობრივი და ეროვნ. ანტაგონიზმი, რასაც 60—80-იან წლებში შედეგად მოჰყვა მასობრივი ანტიფეოდ. და ანტიკოლონ. გამოსვლები.

სტიქიურმა სახ. გამოსვლებმა, ახლად

ჩაის პლანტაცია. ასამის შტატი.

ჩასახული ეროვნ. პროლეტარიატის პირველმა გაფიცვებმა და ბურჟ.-ეროვნ. მოძრაობის გაშლამ კოლონ. ხელისუფლება აიძულა ზოგი რამ დაეთმო ბურჟ.-მემამულური ოპოზიციისათვის. 1885 ცალკეული ბურჟ.-მემამულური ორგანიზაციების გაერთიანებით შეიქმნა *ინდოეთის ეროვნული კონგრესი* (იეკ). ეროვნ. მოძრაობაში გაჩნდა ორი მიმდინარეობა: ლიბერ. და რადიკალური. ლიბერალები (დ. ნაოროჯი, მ. გ. რანადე, ს. ბანერჯი და სხვ.) იფარგლებოდნენ კოლონ. რეჟიმის მიმართ ზომიერი ოპოზიციით; რადიკალები (ბ. ტილაკი, ბ. ჩატერჯი და სხვ.) კი აქტიურად ილაშქრებდნენ ქვეყნის კოლონ. დამონების წინააღმდეგ, გაბედულად იცავდნენ სამამულო წარმოებას (ე. წ. სვადეში) და მოითხოვდნენ კოლონიზატორთა გაძევებას ძალის მეშვეობით. ბრძოლა ლიბერალებსა და რადიკალებს შორის იდეოლოგიის სფეროშიც აისახა. რელიგ. რეფორმატორთა და განმანათლებელთა ერთი ჯგუფი (დ. თაგორი, საიდ აჰმად-ხანი და სხვ.), უფრო ახლოს იყო ლიბერალებთან, მეორე (დ. სარასვატი, მ. კასმი) — რადიკალებთან. ეროვნ. მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლ. კოლონ. ხელისუფლება ძალის გამოყენებასთან ერთად ჰინდუ-მუსლიმანთა შუღლის გამწვავებასაც ცდილობდა.

XX ს. დამდეგისათვის ი. დიდი ბრიტ. აგრ.-სასედლეულო დანამატი გახდა. დაბანდებული ინგლ. კაპიტალის ზრდამ ი-ში ბიძგი მისცა კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ კოლონ. მუხრუჭების პირობებში მისი განვითარება ცალმხრივი იყო (ჭარბობდა ბამბის მრეწველობა). ქვეყნის სუსტი სამრეწვ. განვითარების უშუალო შედეგი იყო აგრ. მოსახლ. ჭარბი ზრდა, გლეხობის ფეოდ.-მევახშური ექსპლუატაციის კონსერვირება, სოფ. მეურნ. დეგრადაცია და მასობრივი უმუშევრობა ქალაქად. ეროვნ. კაპიტალიზმის განვითარება სულ უფრო ამწვავებდა წინააღმდეგობას ინგლ. იმპერიალიზმსა და ეროვნ. ბურჟუაზიას შორის. ამ გარემოებამ XX ს. დამდეგს ნიადაგი მოამზადა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობისათვის. მასობრივი უკმაყოფილების ზრდას ბიძგი მისცა მეფისნაცვლის კერზონის (მართავდა 1899—1905) დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ. 1905 ბენგალი მან ორ ნაწილად გაყო. ამის საპროტესტოდ გაჩაღებული კამპანია ეროვნ.-განმათ. მოძრაობის დასაწყისად იქცა, რასაც რუსეთის 1905—07 რევ. ზეგავლენამ ახ. გაქანება მისცა. მოძრაობის ძირითადი ლოზუნგები იყო — „სვარაჯი" („საკუთარი მმართველობა") და „სვადეში" („საკუთარი წარმოება"). ინგლ. იმპერიალისტებმა განიზრახეს რეპრესიებით ჩაეხშოთ რევ. მოძრაობა, ამავე დროს ცდილობდნენ გაეჩაღებინათ ჰინდუ-მუსლ. მტრობა. ამ მიზნით 1906 ინგლ. იმპერიალისტების დახმარებით შეიქმნა *მუსლიმანური ლიგა* (ინდ. მუსლიმანების კავშირი). ამას მოჰყვა ინდუსთა ზეადაფენის ჰინდუ მაჰასაბჰის („ჰინდუთა დიდი კავშირი") კლერიკალურ-რეაქციული ორგანიზაციის შექმნა. 1905—08 მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდა ი-ის პროლეტარიატი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1908 ბომბეის გაფიცვა.

I მსოფლიო ომში მეტროპოლიამ ი. მისი ნების გარეშე ჩააბა, რათა გამოეყენებინა მისი მატერ.-ფულადი რესურსები და ცოცხალი ძალა. ომმა მკვეთრად გააუარესა ი-ის მშრომელთა მდგომარეობა, სამაგიეროდ განამტკიცა ეროვნ.-ბურჟ. ეკონ. პოზიციები.

I მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნ. კონგრესმა ქვეყნის შიგნით მშრომელთა მასობრივი მოძრაობის აღმავლობისა და რუსეთში დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვების ზეგავლენით შეცვალა თავისი პოლიტიკა და დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ აიღო გეზი. მ. *განდის* ინიციატივით კონგრესმა მხარი დაუჭირა მასობრივი მოძრაობის გაშლისა და მშრომელთა ხარჯზე მისი რიგების შევსების პოლიტიკას. მოძრაობის ძირითად ფორმად მიჩნეულ იქნა განდის მიერ შემუშავებული ძალდაუტანებელი წინააღმდეგობის (სატიაგრაჰა) პრინციპი. იმ დროისათვის განდი დიდად პოპულარული იყო, იგი კონგრესის ლიდერი გახდა, მისი მოძღვრება (*განდიზმი*) კი — პარტიის ოფიც. იდეოლოგია. განმათ. მოძრაობის აღმავლობას სერიოზული ბიძგი მისცა „*მონტეგიუ-ჩელმსფორდის რეფორმამ*" (1919), როულეტის კანონმა (1919), *ამრიტსარის* ხოცვა-ჟლეტამ (1919). 1918—22 სამოქალაქო ურჩობის კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდა ეროვნ. მუშათა კლასი. მოძრაობის დიდ გაქანებითა და მშრომელთა აქტივობის ზრდით დაშინებულმა კონგრესმა 192 შეწყვიტა მასობრივი ურჩობის კამპანია.

1923—27 აღინიშნა ეროვნ. მოძრაობი დროებითი დაქვეითებით. 1925 დეკ.-ში დაარსდა ი-ის კომპარტია, 1927 კი ეროვნ. კონგრესში შეიქმნა მემარცხენე ფრთა ჯ *ნერუს* ხელმძღვანელობით, რ-მაც ი-ი სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა წა მოაყენა.

1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმ ანტიიმპერიალ. მოძრაობის ახ. აღმავლო ბა გამოიწვია. 1928—29 მსხვილი ანტიიმ პერიალ. კამპანიების ინიციატორი და აქტ მონაწილე იყო მუშათა კლასი. 1929—3 მიმდინარეობდა კოლონ. ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ანტიკომუნისტური *მირუთის პროცესი,* 1931 შეიქმნა პროფკავ შირთა წითელი კონგრესი.

1930 მ. განდის ხელმძღვანელობით ეროვნ. კონგრესმა წამოიწყო სამოქალაქო ურჩობის ახ. მასობრივი კამპანია, რ-სა ზოგან (შოლაპური, ფეშავარი, ჩიტაგონ გი) უდიდესი საბრძოლო გაქანება ჰქონ და. იგი 1934-მდე გრძელდებოდა. 193 ინგლ. პარლამენტმა მიიღო ი-ის მართვის აქტი, რითაც რამდენადმე იზრდებოდ პროვინციების საკანონმდებლო კრებებისა და შესაბამისი მთავრობების ფუნქციები მაგრამ კოლონ. ხელისუფლება კვლავინ დებურად ინარჩუნებდა მთელ ძალაუფლე ბას. ამ აქტს მკაცრი პროტესტით შეხვდ ი-ის მოსახლ. და ახ. მასობრივი კამპანი გააჩაღა ეროვნ. სუვერენიტეტის მოსაპო ვებლად. 1936 ეროვნ. კონგრესმა წამოაყენ ერთიანი ანტიიმპერიალ. ფრონტის შექმნ ამოცანა, მაგრამ ეროვნ. კონგრესის ბურ უმრავლესობა არ შეუერთდა მას. 193 ჩატარდა პროვინციების საკანონმდებლო კრებების არჩევნები (1935 საკონსტიტუ ციო აქტის შესაბამისად). პროვინციებ უმრავლესობაში იგი ეროვნ. კონგრეს გამარჯვებით დამთავრდა. ზოგ პროვინ ციაში შეიქმნა კონგრესული სამინისტრო ები, რ-ებმაც ადგილ. პროგრ. ლონისძიე ბები განახორციელეს.

1939 სექტ. ი. ჩააბეს II მსოფლიო ომ ში. ომმა უმძიმესი ტვირთი დააკისრა მი ლიონობით მშრომელს და მკვეთრად გა აუარესა მათი ცხოვრების პირობები (ზოგ რ-ნში დაიწყო მასობრივი შიმშილობა). ამავე დროს ომის წლებში განვითარდა მრეწვ. ზოგიერთი დარგი (სამხ., საფეიქ რო). ხელსაყრელმა სამხ. კონიუნქტურამ განამტკიცა ეროვნ. კაპიტალის პოზიციები. ი-ის ეროვნ. ბურჟ. პოზიცია ომისა მიმართ ორჭოფული იყო. იგი, ერთი მხრივ, მხარს უჭერდა კოლონ. ხელისუფლებას, მეორე მხრივ, სურდა დამოუკიდებელი ყოფილიყო და თავი გაეთავისუფლებინა ინგლისელთა „მეურვეობისაგან". მთავრებმა, მემამულეებმა, კომპრადორებმა მხარი დაუჭირეს ინგლ. საომარ ღონისძიებებს.. მუსლიმანურმა ლიგამ 1940-იდან ქვეყნის გაყოფისა და მუსლ. სახელმწიფოს (პაკისტანის) შექმნის პროპაგანდა დაიწყო.

ფაშისტური გერმ. სსრკ-ზე თავდასხმამ (1941 წ. 22 ივნ.) გააძლიერა ი-ის მოსახლ. ანტიფაშისტური განწყობილება და გაზარ-

ა სიმპათიები სსრკ-ის მიმართ. 1942 ამდეგს ეროვნ. კონგრესმა მოითხოვა ვით Ი-ს დაკისრებოდა ქვეყნის თავდაცვის საქმის ხელმძღვანელობა. მაგრამ ინგლისმა გადაჭრით უარყო ეს მოთხოვნა. ასუხად ეროვნ. კონგრესმა (აგვისტოდან) აიწყო სამოქალაქო ურჩობის კამპანია. ნგლ. ხელისუფლება მკაცრი რეპრესიით შეხვდა ინდ. ხალხის მძლავრ საპროესტო მოძრაობას და ციხეებში ჩასვა კონრესის ლიდერები. რეპრესიების მიუხედაად, ანტიიმპერიალ. მოძრაობა 1944—45 ს. ძალით გაიშალა.

II მსოფლიო ომის დამთავრების წინ -ში რევ. სიტუაცია შეიქმნა. დაიწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ახ. ეტაპი. 946 დასაწყისში მოეწყო მასობრივი ანტინგლ. გამოსვლები არმიაში, ფლოტსა ა ავიაციაში. 1946 თებ. იფეთქა ბომბეის ამხ. მეზღვაურთა აჯანყებამ, რ-მაც უდიესი გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა ფელ ქვეყანაში. ამ ამბებით შეშინებული ინგლ. ბურჟუაზია იძულებული გახდა დათობაზე წასულიყო და Ი-ს დომინიონის სტატუსის მიცემა აღუთქვა. 1946 წ. 24 აგვ. შეიქმა Ი-ის დროებითი მთავრობა ჯ. ნერუს მეთაურობით. ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ფროტის გაფართოებამ და მასში მშრომელთა ა. ფენების ჩაბმამ (ტელინგანის აჯანყება, შმირის ამბები) ინგლ. იმპერიალისტეი აიძულა დაეტოვებინათ Ი. 1947 წ. 15 ივ. აქტით ერთიანი Ი. ორ ახ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ — ინდოეთის კავშირა და პაკისტანის დომინიონებად გაიყო.

დამოუკიდებელი Ი-ის პირველ მთავრობას ჯ. ნერუ ჩაუდგა სათავეში. მთავრობის ანაშე დაისვა ქვეყნის ეკონ. და კულტ. ამორჩენილობის, ხანგრძლივი კოლონ. ონობის მძიმე შედეგების ლიკვიდაციი და ხელოვნური დაყოფით წარმოქმული სერიოზული სიძნელეების დაძლეის ამოცანები (ლტოლვილთა პრობლეა, მასობრივი უმუშევრობა, სურსათისა ა ნედლეულის ნაკლებობა). სერიოზული რობლემა იყო აგმ. აპარატის გარდაქმნა ა მისი დაკომპლექტება ეროვნ. კადრით. ამას თან დაერთო ურთიერთობის ორთულება პაკისტანთან (1947 ოქტ. — 949 წ. 1 იანვ.) ქაშმირის თაობაზე.

1947—49 წლებში 555 ინდ. სამთავრო 501-იდან) Ი-ის დომინიონს შეუერთდა; ანარჩენი შევიდა პაკისტანის დომინიონის შემადგენლობაში. Ი-ის მთავრობამ ატარა სამთავროების რეფორმა, ბევრი ითგანი გააუქმა. წვრილი სამთავროების რთი ნაწილი გაერთიანდა ბრიტ. Ი-ის ოფილი პროვინციების შტატებთან, ზოიც — სამთავროების კავშირების შტატები. 1947—49 ძირითადად დასრულდა აგმ. პარატის ეროვნ. ყაიდაზე გარდაქმნა.

1948—49 გადაიდგა ნაბიჯი ზოგიერთი ემოკრ. რეფორმისა და ეკონ. ღონისძიეის გასატარებლად: შემუშავდა აგრ. რეორმის პროექტი, დაწესდა ხელფასის ინიმუმი, შემოიღეს სოც. დაზღვევა და ნვ.

1949 წ. 26 ნოემბ. მიიღეს ახ. კონსიტუცია, რ-იც 1950 წ. 26 იანვ. შევიდა ალაში. Ი. სუვერენულ რესპუბლიკად გაიცხადდა. ეროვნ. კონგრესმა მასებზე ავლენის შესანარჩუნებლად და მშრომელთა უკმაყოფილების შესანელებლად ამდენადმე შეცვალა საშინაო პოლიტიკა. ეგალიზებულ იქნა კომპარტია და მისი ელმძღვანელობით მომუშავე პროფკავშირები და გლეხთა კავშირები. 1951—52 ატარდა პარლამენტისა და შტატების საანონმდებლო კრებათა პირველი არჩევები, რ-იც ეროვნ. კონგრესის სრული გარჯვებით დამთავრდა.

გლეხთა მასობრივი მოძრაობის ზეგავლენით 1952—53-იდან შტატების მთავრობებმა დაიწყეს აგრ. რეფორმის გატარება. ბმამულეებს ჩამოერთვათ (ანაზღაურებით) მიწების ნაწილი, შეიზღუდა მოიჯარელეხთა ექსპლუატაცია და შემცირდა რენტა-გადასახადი. აგრ. რეფორმამ გააძლიერა გლეხობის დიფერენციაცია და განამტკიცა სოფლად ბურჟ. ელემენტები. კაპიტალ. ურთიერთობის ზრდას სოფლად ხელი შეუწყო იმ ღონისძიებებმაც, რ-ებიც „სათემო პროექტების“ სახელითაა ცნობილი.

ეროვნ. კონგრესის 1955 სესიამ მემარცხენე ფრთის ზემოქმედებით და მასებზე გავლენის შესანარჩუნებლად (ჯ. ნერუს ინიციატივით) მიიღო „სოციალისტური ტიპის საზოგადოების აგების“ პროგრამა. მაგრამ იგი არ ითვალისწინებდა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციას.

1956 აგვ. ბურჟ. ინიციატივითა და დემოკრ. საზ-ბის მოთხოვნით ჩატარდა შტატების რეორგანიზაცია. 1957 მოეწყო მეორე საყოველთაო არჩევნები, რ-ის შედეგად ეროვნ. კონგრესმა შეინარჩუნა თავისი პრიორიტეტი პარლამენტშიც და შტატების საკანონმდებლო კრებებშიც. კომპარტიამ, რ-იც მემარცხენე ძალებს ედგა სათავეში, გააორკეცა მიღებული ხმების რაოდენობა (წინა არჩევნებთან შედარებით). კერალის შტატში მან შეაგროვა ხმების აბსოლ. უმრავლესობა და სათავეში ჩაუდგა მთავრობას (1957—59). ჯ. ნერუს მთავრობა ატარებდა სამხ.-პოლიტ. ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკას, Ი-მა დაამყარა მეგობრული, ეკონ. და პოლიტ. ურთიერთობა საბჭ. კავშირთან და სხვა სოციალ. ქვეყნებთან. აქტიურად გამოდიოდა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ აზიასა და აფრიკაში.

1961 Ი-ის ჯარებმა პორტუგ. კოლონიზატორებისაგან გაათავისუფლა გოა, დამანი, დიუ, რ-ებიც 1962 წ. 6 მარტს Ი-ის მოკავშირე ტერიტორიად გამოცხადდა. საფრ. კოლონ. ბატონობისაგან განთავისუფლდა პონდიშერი, კარიკალი, იანაონი და მაე. 1961 წ. 17 აგვ. საფრანგეთმა ოფიციალურად დაუბრუნა ეს ტერიტორიები Ი-ს. 60-იანი წლების დამდეგიდან ეროვნ. კონგრესსა და მის ფარგლებს გარეთ მოხდა მემარცხენე და მემარჯვენე ძალთა პოლარიზაცია. კონგრესის მემარჯვენე ძალებმა, რ-ებიც რეაქციული წრეების ინტერესებს გამოხატავდნენ, დატოვეს კონგრესი და დააარსეს (1959) ახ. მემარჯვენე პარტია „სვატანტრა“ („დამოუკიდებელი“). ახ. პარტიამ გაიღაშქრა სახელმწ. სექტორის შემდგომი განვითარების, აგრ. რეფორმის II ეტაპის გატარებისა და დემოკრ. წამოწყებათა წინააღმდეგ, მოითხოვა კერძო კაპიტალის საქმიანობის სრული თავისუფლება. 1962 საყოველთაო არჩევნებში ეროვნ. კონგრესმა დროებით დაკარგა ხმების ნაწილი. კომპარტიის რიგებიდან გავიდა მემარცხენე ჯგუფი, რ-მაც დააარსა პარალელური კომპარტია.

1964 მაისში გარდაიცვალა ჯ. ნერუ. პრემიერის პოსტი დაიკავა ლ. ბ. შასტრიმ. 1965 შემოდგომით ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი შეიარაღებულ შეჯახებაში გადაიზარდა. იგი შეწყდა სსრკ-ის მშვიდობიანი ინიციატივით, რასაც მოჰყვა ტაშკენტის დეკლარაცია (1966 იანვ.). ჩინეთთან და პაკისტანთან შეიარაღებულმა კონფლიქტმა გააძლიერა ქვეყნის ეკონ. სიძნელეები. ამას დაერთო ხანგრძლივი გვალვა (1965—67) და უცხ. და Ი-ის მონოპოლიების გავლენის შემდგომი გაძლიერება. ასეთ რთულ ვითარებაში 1966 დამდეგს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, მემარჯვენეთა გაფორებული წინააღმდეგობის მიუხედავად, აირჩიეს ი. განდი (ჯ. ნერუს ქალიშვილი). მან განაგრძო და განავითარა ქვეყნის ბეგმიური წინსვლის, სახელმწ. სექტორის გაძლიერებისა და დემოკრ. გარდაქმნათა კურსი ქვეყნის შიგნით, საერთაშ. ასპარეზზე— პოზიტიური ნეიტრალიტეტის, სოციალ. ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების, აგრესიების, რასიზმისა და კოლონ. ჩაგვრის მკაცრი დაგმობის, მშვიდობის მხარდაჭერის პოლიტიკა.

ფრაქციათა ბრძოლამ და ზოგიერთი დაჯგუფების პარტიიდან გასვლამ შეარყია ეროვნ. კონგრესის პოზიციები. ეს გარემოება ნათლად გამოვლინდა 1967 წ. IV საყოველთაო არჩევნებში, რ-ის დროსაც მან დაკარგა ამომრჩეველთა ნაწილი (მათ ოპოზიციურ პარტიებს მისცეს ხმა). ეროვნ. კონგრესმა დაკარგა მმართველი პარტიის მდგომარეობა 9 შტატში (17-იდან). ამ შტატებში შექმნეს კონგრესის მოწინააღმდეგე პარტიების კოალიციური მთავრობები. 1967—68 კონგრესის მემარჯვენე ძალები ცდილობდნენ შეეფერხებინათ ქვეყნის პროგრესი და გააფთრებით ესხმოდნენ თავს ი. განდის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ი. განდის მომხრეებმა გაიმარჯვეს. მოხდა 14 მსხვილი ბანკის ნაციონალიზაცია, პრეზიდენტად აირჩიეს ვ. გირი. მემარჯვენეებმა ამას კონგრესიდან გასვლით უპასუხეს. მაგ დააარსეს ცალკე პარტია.

1970—71 ი. განდის მთავრობამ დემოკრ. წრეების მხარდაჭერით გაატარა რამდენიმე სერიოზული სოც.-ეკონ. ღონისძიება— მონოპოლიათა საქმიანობაზე სახელმწ. კონტროლის გაძლიერების, კერძო ეროვნ. კაპიტალის სფეროს შეზღუდვისა და სახელმწ. საწარმოების დაფინანსების გაზრდის, საგარეო ვაჭრობაში სახელმწ. ხელმძღვანელი როლის გადიდების, უმუშევრობის შემცირებისა და სოფლის მშრომელთა რაოდენობის გაზრდის, მუშათა ერთი ნაწილისათვის ხელფასის მომატებისა და სხვ.; ამ ღონისძიებების ჩატარებამ განამტკიცა ეროვნ. კონგრესის პოზიციები და აამაღლა მისი ავტორიტეტი მასებში. 1971 ვადაზე ადრე ჩატარებულ სახ. პალატის არჩევნებში Ი-ის ეროვნ. კონგრესმა ხმების აბსოლ. უმრავლესობა მოიპოვა.

1971 წ. 9 აგვ. Ი-ის რესპ. და სსრკ-ს შორის დაიდო მშვიდობის, მეგობრობისა, და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რითაც დაიწყო ახ. ეტაპი ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში. სსრკ-ის ეკონ.-ტექ. დახმარებით აშენდა და შენდება ახ. დიდი სამრეწვ. ობიექტები. აღმ. პაკისტ. განმათ. მოძრაობისადმი Ი-ის თანაგრძნობას მოჰყვა პაკისტ. ავიაციის თავდასხმა Ი-ზე 1971 წ. 3 დეკ. ამით დაიწყო ინდოეთ-პაკისტანის ორკვირიანი ომი. საომარი მოქმედების მსვლელობაში Ი-ის შეიარაღებულმა ძალებმა ბენგალელ პარტიზ. რაზმებთან ერთად გაათავისუფლეს აღმ. ბენგალი. პაკისტანის ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. 17 დეკ. Ი-მა საომარი მოქმედება შეწყვიტა. პაკისტანმა მიიღო Ი-ის წინადადება დაზავების შესახებ და ცნო ბანგლადეშის რესპუბლიკა. ომის დროს აშშ-ის ანტიინდ. პოზიციამ და Ი-ის მთავრობის მიერ ვიეტნამში აშშ-ის აგრესიის დაგმობამ გააუარესა მათი ურთიერთობა. 1972-იდან ი. განდის მთავრობამ პარლამენტის უმრავლესობისა და მოსახლ. ფართო ფენების მხარდაჭერით განახორციელა ახ. პროგრ. სოც.-ეკონ. ღონისძიებები. ი. განდის მორიგ რადიკალურ ღონისძიებებს რეაქციულ-კლერ. ბანაკის გააფთრებული წინააღმდეგობა მოჰყვა. 1974 აგვ-ში რეაქციონერებმა ისარგებლეს სერიოზული ეკონ. სიძნელეებით, გააერთიანეს ძალები და 1974 განიზრახეს ი. განდის მთავრობის დამხობა. მიზნის მისაღწევად მათ გამოიყენეს ტერორი, შანტაჟი, არეულობა, სცადეს შეთქმულების მოწყობა. თავდასხმის მთავარ საგნად მათ ი. განდი გაიხადეს, მის საწინააღმდეგოდ სასამართლო პროცესიც კი წამოიწყეს. ასეთ რთულ შინაპოლიტ. ვითარებაში ი. განდის მთავრობამ 1975 წ. 26 ივნ. შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. აკრძალა 26 მემარჯვენე რელიგ.-თემური ორგანიზაცია და დააპატიმრა ზოგიერთი მათი ლიდერი. ამ საგანგებო მდგომარეობამ ეროვნ. კონგრესს, ი. განდის მთავრობას საშუალება მისცა დაეძლია რეაქციის გააფთრებული წინააღმდეგობა და გამოეცხადებინა სოც.-



საფეიქრო ფაბრიკა. ქ. ბომბეი.

ხელსაწყოთსაშენებელი ქარხანა. ქ. ბენგალურუ.

ეკონ. გარდაქმნათა „20 პუნქტის“ პროგრამა (1975 წ. 1 ივლისი).

1975 წ. 29 დეკ-იდან 1976 წ. 1 იანვარამდე ჩატარდა ი-ის ეროვნ. კონგრესის 75-ე ყრილობა, რ-მაც დაადასტურა ი-ში საგანგებო მდგომარეობის შემოღების აუცილებლობა, მთავრობის სხვა ღონისძიებები რეაქციის შეთქმულების წინააღმდეგ საბრძოლველად და პარტიის საქმიანობის მთავარ ამოცანად „20 პუნქტის“ პროგრამის განხორციელება გამოაცხადა. ყრილობამ საგოველთაო არჩევნები 1 წლით გადადო. 1976 წ. II ნახევარში სახ. პალატამ 42-ე შესწორება შეიტანა კონსტიტუციაში, რ-ის მიხედვითაც კონსტ. პრეამბულის შესწორებულ ტექსტში ი. განისაზღვრება როგორც „სუვერენული, სოციალისტური, საერო, დემოკრატიული რესპუბლიკა“.

1977 წ. 16—20 მარტს ი-ში ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. ამ მომენტისათვის იეკ ფრაქციული ბრძოლის გაძლიერებისა და მემარჯვენე ჯგუფების პარტიიდან გასვლის გამო დასუსტებული იყო. ოპოზიციურმა ძალებმა დააარსეს ერთიანი პარტია „ჯანატა პარტი“. ასეთ ვითარებაში არჩევნებში იეკ-მა მიიღო 153 ხმა, „ჯანატა პარტიმ“ — 270, პრემიერ-მინისტრი გახდა „ჯანატა პარტის“ თავ-რე მ. *დესაი*, რ-ის მთავრობის საშინაო პოლიტიკამ ვერ გაამართლა ი-ის მოსახლ. იმედები. „ჯანატა პარტის“ კოალიცია დაშალა და 1979 წ. 15 ივლ. მ. დესაის მთავრობა გადადგა. ახალ ვადამდელ არჩევნებამდე გარდამავალი მთავრობის მეთაურად დაინიშნა ჩ. სინგჰი. 1980 წ. 3—6 იანვ. ი-ის პარლამენტის სახ. პალატის რიგგარეშე არჩევნებში გაიმარჯვა იეკ-მა ი. განდის მეთაურობით. ი. განდი პრემიერ-მინისტრი გახდა.

ლიტ.: Маркс К., Британское владычество в Индии, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 9; Вебер, Ост-Индская компания, ее история и результаты ее деятельности, оттуда; Маркс К. и Энгельс Ф., О национально-освободительном восстании 1857—1859 гг. в Индии, М., 1959; Ленин В. И., Пробуждение Азии, Полн. собр. соч., 5 изд., т. 23; Антонова К. А., Английское завоевание Индии в XVIII в., М., 1958; Бонгард-Левин Г. М., Ильин Г. Ф., Древняя Индия. Исторический очерк, М., 1969; Гольдберг Н. М., Очерки по истории Индии, М., 1965; Гордон Л. А., Егорова М. Н., Рабочий класс независимой Индии, М., 1968; История Индии в средние века, М., 1968; Библиография Индии, М., 1965.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ინდოეთის ეროვნული კონგრესი (იეკ), დაარსდა 1885. 1947—1977 მარტი, 1980 იანვრიდან—მმართველი პარტია. ჯანატა პარტი (ჯპ), შეიქმნა 1977 მაისში; მართველი პარტია 1979 ივლისამდე. მანამდე არსებობდა როგორც ოპოზიციური პარტიების ბლოკი (შეიქმნა 1975), რ-შიც შედიოდა პარტიები: ჯან სანგჰი, ორგანიზაცია კონგრესი, ბპარატია ლოკ დალი და სოციალისტური პარტია. ანაიტ ინდიანა დრავიდა მუნეტრა კაზაგამი (აიადმკ; ტამილნადის შტატში) და აქალი დალი (პენჯაბის შტატში) — მსხვილი რეგიონული პარტიები. ინდოეთის კომუნისტური პარტია (იკპ), დაარსდა 1925. ინდოეთის პარალელური კომუნისტური პარტია (იპკპ), შეიქმნა 1964.

პროფკავშირების ინდოეთის ეროვნული კონგრესი, დაარსდა 1947. პროფკავშირთა სრულიად ინდოეთის კონგრესი, დაარსდა 1920. ინდოელ მუშათა კავშირი, დაარსდა 1948. გაერთიანებული პროფკავშირების კონგრესი, დაარსდა 1949.

სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიდარობის ორგანიზაცია. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურის საზ-ბა.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ი. აგრ.-ინდუსტრ. ქვეყანაა. ბრიტ. ბატონობის დროიდან ხან მემკვიდრეობად მიიღო კოლონ. ქვეყნებისათვის ტიპობრივი ეკონ. სტრუქტურა, მაგრამ სხვა კოლონიებისაგან განსხვავებით აქ განვითარებული იყო სოფაბრიკო მრეწვ. რამდენიმე დარგი. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ი. ბამბის ქსოვილის წარმოებით მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩებოდა, იგი იძლეოდა ჯუთის ნაწარმის მსოფლიო წარმოების 50%-ზე მეტს, განვითარებული იყო აგრეთვე სას.-სამ. ნედლეულის გადასამუშ. და სამთომოპოვებითი მრეწველობა. წარმოების საშუალებათა იმპორტის აუცილებლობამ, თითქმის სავსებით უცხოეთის ინდუსტრ. და სამეცნ.-ტექ. ბაზაზე დაყრდნობამ ი. ეკონომიკურად იმპერიალ. სახელმწიფოებზე, უმთავრესად დიდ ბრიტანეთზე, დამოკიდებულ ქვეყნად გადააქცია.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო სოფ. მეურნეობა. დიდი მემამულური მიწათმფლობელობის გაბატონებამ, მოიჯარეობისა და მევახშეობის ფართოდ გავრცელებამ განაპირობა გლეხობის სიღატაკე და უუფლებობა. ამასთან ერთად სტიქიური უბედურებები — ხშირი გვალვა და წყალდიდობა დიდ ფართობებზე ანადგურებდა მოსავალს, რასაც მიღ ეონობით ადამიანის შიმშილით სიკვდილი მოსდევდა.

უაღრესად დაბალი იყო ეროვნ. შემოსავალი 1 სულ. მოსახლეზე (1950 იგი შეადგენდა 265 რუპიას წელიწადში — 11-ჯერ ნაკლებს, ვიდრე დიდ ბრიტანეთში და 28-ჯერ ნაკლებს, ვიდრე აშშ-ში). ეკონ. დამახასიათებელი თავისებურება იყო მსხვილი ეროვნ. კაპიტალის არსებობა. უცხ. კაპიტალის ძალიერი პოზიციები ეჭირა ძირითადად ჯუთისა და სამთომოპოვებით მრეწველობაში, ჩაის პლანტაციებსა და საგარეო ვაჭრობაში.

პოლიტ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ი. ეკონ. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით დაადგა საზ. წარმოების ახ. დარგების შექმნის, სოფ. მეურნ. აღმავლობის, სასურსათო პრობლემათა გადაწყვეტისა და მწარმოებლურ ძალთა რაციონალური განლაგების გზას.

პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა დიდი კერძო ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ნაციონალიზაციას, მმართველი საagენტოების სისტემის გაუქმებას და სხვა. სახელმწიფომ მონოპოლია მოიპოვა რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, თავდაცვით და ატომურ მრეწველობაში, ოქროს მოპოვებაში, სამგზავრო ეაგონების, თბომავლებისა და ელექტრომავლების, ტელეგრაფისა და ტელეფონის აპარატურის წარმოებაში, გემთმშენებლობაში, სადაზღვევო საქმეში. ამასთან ერთად, დიდია ადგილ. და უცხოეთის (განსაკუთრებით აშშ-ის, გფრ-ის და იაპ.) კერძო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

აგრ. რეფორმას დიდი სოც. ძვრები მოჰყვა სოფლად. დაირღვა საწარმოო ურთიერთობათა ფეოდ. და ნახევრად ფეოდ. ფორმათა ბატონობა, გაძლიერდა კაპიტალ. ურთიერთობანი.

ი-ის ეკონ. განვითარების სწრაფ ზრდასთან ახლავს შრომის ტერიტ. დაყფ. დანაწილების გაღრმავება, იშლება მწარმოებლურ ძალთა განლაგების კოლონ. სტრუქტურა, იზრდება დიდ ნავსადგურებთან დაკავშირებული ძვ. ეკონ. რ-ნების მნიშვნელობა, ისახება ახ. ეკონ. რ-ნები ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნის შიგა რ-ნებში. მძიმე მრეწვ. საკვანძო დარგების (მეტალურგია, ნავთობის მრეწვ., მანქანათმშ., ელექტროენერგეტიკა და სხვ.) შექმნაში ი-ს დიდ დახმარებას უწევს სსრკ კავშირი.

სოფლის მეურნეობა. აგრ. რეფორმამ ვერ შეძლო აგრ. ურთიერთობათა ძირეულად შეცვლა. კვლავაც ჭარბობს წვრილი და უწვრილესი მეურნეობები. ძლიერდება სოფლის მოსახლ. კლასობრივ ფენებად დაშლა. ი-ის მთლიანი ფართობის ნახევარზე მეტს შეადგენს დამუშავებული მიწა, რ-ის თითქმის 40% ირწყვება არხებით, დაახლ. 30% — ჭის წყლით, დანარჩენი — ხელოვნური წყალსატევებიდან.

სოფ. მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა. მთლიანი ნათესი ფართობის დაახლ. 70% უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, მათ წილად მოდის მემცენარეობის პროდუქციის ღირებულების 60%-ზე მეტი. ი. იძლევა ბრინჯის (42790 ათ. ტ, 1976/77) მსოფლიო მოსავლის თითქმის 1/3-ს; ბრინჯს თესავენ უმთავრესად ჩრდ.-აღმ. და სამხრ. ი-ში. ფეტვოვანი კულტურები (19673 ათ. ტ, 1975/76) ჭარბობს შიგა გვალვიან რ-ნებში, ყველაზე უფრო გავრცელებულია ჯოვარი (სორგო; მაჰარაშტრის შტ.), ხორბალი (29080 ათ. ტ, 1976/77) უმთავრესად სარწყავ მიწებზე მოჰყავთ, სიმინდი (6260 ათ. ტ, 1976/77) — ჩრდ., ჩრდ.-დას. და ცენტრ. რ-ნებში. დიდი ადგილი ეთმობა პარკოსნებს. იზრდება ტექ. კულტურების წარმოება. თითქმის ყველგან მოჰყავთ ზეთოვნები (7830 ათ. ტ, 1976/77), უმთავრესად არაქისი, აგრეთვე მდოგვი, რაფსი, სელი. აბუსალათინის მთლიანი მოსავლის დაახლ. ნახევარს იძლევა ანდჰრა-პრადეშის შტატი (აბუსალათინის ზეთის წარმოებითა და ექსპორტით ი. მხოლოდ ბრაზილიას ჩამორჩება). მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ბამბა (985 ათ. ტ, 1976/77, უმთავრესად დეკანის ზეგანზე), ჯუთი (964 ათ. ტ, 1976/77, დას. ბენგალში). თამბაქოს მოსავლით (410 ათ. ტ, 1976/77) ი. მხოლოდ აშშ-სა და ჩინეთს ჩამორჩება, ნათესების თითქმის ნახევარი თავმოყრილია კრიშნისა და გოდავარის დელტებში. ჩაის (512 ათ. ტ, 1976/77) პლანტაციები უმთავრესად ბრაჰმაპუტრის ხეობის ზემო ნაწილში და აღმ. ჰიმალაის მთისწინეთშია (დარჯილინგის რ-ნი). მაისურის შტატში აშენებენ ყავას, კერალის შტატში ჰევეის პლანტაციებია.

ი. სანელებლების ტრად. ექსპორტიორია. საექსპორტოა პილპილი (მოსავალი 30 ათ. ტ, 1976/77), წიწაკა „ჩილი“, ილი, კოჭა, მიხაკი და სხვა. სანაპიროზე (უმთავრესად კერალის შტ.) აშენებენ ქოქოსის პალმას. განვითარებულია მეხილეობა და მებოსტნეობა.

მეცხოველეობა საკვები ბაზიდან სუსტად არის უზრუნველყოფილი. მსხვ. რქ. საქონელს (234 მლნ. სული, 1973) აშენებენ თითქმის ყველგან. მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულების დაახლ. 65%-ს იძლევა რძე, რ-ის მთავარი მიმწოდებელია უტარ-პრადეში და ჩრდ.-დას. შტატები. მეცხვარეობა (50 მლნ. სული, 1973) განვითარებულია უმთავრესად რაჯასტანში (იძლევა ინდ. მატყლის წარმოების დაახლ. 40%-ს), დეკანის შიგა გვალვიან ტერიტორიასა და ჰიმალაის რ-ნებში. აშენებენ აგრეთვე თხასა (70 მლნ. სული, 1973) და ღორს.

განვითარებულია მეაბრეშუმეობა, თევზჭერა. ზღვაში იჭერენ გარნელს (საექსპორტოდ).

სატყეო მეურნეობა. ტყის პროდუქციის მთავარი მიმწოდებელია ჰიმალაი, ცენტრ. ი-ის მთა-ტყიანი ტერიტ. და დას. გატები. 1961—69 წლებში 400 ათ. ჰა-ზე დარგეს ტექტონა და სხვა ძვირფასი ჯიშის ხე. აგროვებენ ლაქს, რ-ისა-

ანაც იღებენ შელაქს (მსოფლიო წარ-ოების 3/4).

მრეწველობა. დამოუკიდებლობის მოპო-ების შემდეგ ი-ში შეიცვალა მრეწვ. ტრუქტურა. არსებითად ხელახლა შეიქ-ნა ნავთობის, ქიმ., ალუმინის მრეწვ., სნქანათსაშ. დარგების უმრავლესობა. მკვე-ირად გაიზარდა შავი ლითონების წარ-ოება. მძიმე მრეწვ. დარგების პროდუქ-ციამ მრეწვ. მთლიანი პროდუქციის და-ახლ. ნახევარი შეადგინა.

მ ო პ ო ვ ე ბ ი თ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო-ბ ა და ე ნ ე რ გ ე ტ ი კ ა. მოპოვებუ-ული სასარგებლო წიაღისეულის ღირებუ-ლების 70%-ზე მეტი მოდის ქვანახშირზე (104,9 მლნ. ტ, 1976/77), რ-ის მოპოვების ითქმის 3/4 კონცენტრირებულია დამო-ვარის აუზში. დას. ი-ში (ანკლეშვარი და ხვ.) და ასამის შტატში იღებენ ნავთობს (8,7 მლნ. ტ, 1976/77). ნავთობგადასა-ხუშ. ქ-ნებია დიგბოიში, ნუნმატიში, ბა-ბაუნიში, ბომბეიში, ვიშაქაპატნამში, ბა-ბოდაში, კოჩინში, მადრასში, ჰალდია-ში. რკინის მადანს (42,3 მლნ. ტ, 1976/77) იღებენ უმთავრესად ორისის, ბიჰარის, მადჰია-პრადეშის, მაისურის შტატებსა და გოაში, მანგანუმის მადანს — უმთავრესად ცენტრ. ი-ში, ორისისა და მაისურის შტა-ტებში, ქარსს — ბიჰარის (შთელი მოპო-ების დაახლ. 80%), ანდჰრა-პრადეშისა და რაჯასტანის შტატებში, ბოქსიტებს — ბიჰარის, გუჯარათისა და მადჰია-პრადე-შის შტატებში, ოქროს — მაისურის შტატ-ში. იღებენ აგრეთვე ალმასს, სპილენძისა და ტყვია-თუთიის მადანს, სუფრის მა-რილს და სხვ.

უდიდესი თესები თავმოყრილია დამო-ვარის აუზში. თესები აგებულია აგრეთვე დიდი ქ-ების კალკუტის, დელის, მადრასის, ბომბეისა და სხვათა მახლობლად. ჰესე-ბიდან უდიდესია ბჰაკრა-ნანგალი, ჩამ-ბალი, ჰირაკუდი, კოინა და სხვ., აესები-დან—ტარაპური და რანა-პრატარ-საგარი.

დ ა მ უ შ ა ვ ებ ი თ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო-ბ ა. ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების დროს მთავრობამ დიდი მუ-შაობა ჩაატარა შავი მეტალ. შესაქმნელად, რ-ის საწარმოები უმთავრესად ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილშია კონცენტრირებული. მეტალ. კომბინატებია ბჰილაიში (აშენდა სსრკ-ის დახმარებით), დურგაპურში, როურ-კელაში, ასანსოლში, ჯამშედპურში და სხვ.

განვითარდა მანქანათმშ. და ლითონ-დამუშავება. აშენდა ლოკომოტივთსაშენი, დიზელიანი ლოკომოტივების, ვაგონთსაშე-ნი, საავიაციო, მძიმე მანქანათსაშ., სამთო-ათშახტო მოწყობილობის, მძიმე ენერგო-მოწყობილობის ქ-ნები. იზრდება ლოკომო-ტივების, სატვირთო ვაგონების წარმოება, ავტომშენებლობა, ჩარხთმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა. მანქანათმშ. მთა-ვარი ცენტრებია ბომბეი, კალკუტა, მად-რასი, ბენგალურუ.

იზრდება კალცინირებული და კაუსტი-კური სოდის, აზოტიანი სასუქების წარმო-ება. ვითარდება ნავთობქიმია, ხელოვნუ-რი და სინთეზური ბოჭკოს, ფარმაცევტუ-ლი წარმოება.

ი-ის მრეწვ. ტრად. დარგებია საფეიქ-რო და კვების მრეწველობა. ბამბეულის მრეწველობამ შეინარჩუნა ერთ-ერთი წამ-ყვანი ადგილი საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის. ბამბის ქსოვილების (4161 მლნ. *მ*, 1976/77) ნახევარზე მეტს უშვებს ბომ-ბეი-აჰმადაბადის სამრეწვ. რ-ნი. ბამბეუ-ლის მრეწვ. სხვა უდიდესი ცენტრებია კოი-მბატური, მადურაი, მადრასი, კანპური, დელი, ნაგპური, ინდორი და უჯაინი. აბ-რეშუმის ქსოვილების წარმოების ტრად. ცენტრებია მაისური, სურატი და სრინა-გარი. კანპურსა და ჩრდ.-დას. ი-ის სხვა ქ-ებში განვითარებულია შალეულის მრე-წველობა. ი. ჯუთის ნაწარმის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში. თი-თქმის მთელი ჯუთის მრეწვ. კონცენტრი-რებულია კალკუტასა და მის გარეუბნებში.

კვების მრეწვ. მთავარი დარგია შაქრის წარმოება. შაქრის ქ-ების სიმძლავრეთა ნახევარზე მეტი მოდის უტარ-პრადეშის შტატზე. თითქმის ყველგან განვითარებუ-ლია საფქვავი მრეწვ., მცენარეული ზეთის წარმოება, საექსპორტოა თამბაქოს ნა-წარმის დამზადება (გუნტურუ), აკაჟუს კაკლის დამუშავება (კოლამი და კერალის შტატის სხვა ქ-ები). ტყავ-ფეხსაცმლის მრეწვ. მთავარი ცენტრებია კანპური, კალკუტა, მადრასი, აგრა. მრეწვ. პროდუ-ქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

განვითარებულია წვრილი და შინა-მრეწველური წარმოება. ამ სექტორში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ლი-თონდასამუშ. და ქიმ. მრეწველობა. თითქ-მის ყველგანაა განვითარებული ნართის ხელით დამზადება, განსაკუთრებით ხე-ლით ქსოვა. სოფლად განვითარებულია ბრინჯისა და სხვა მარცვლეულის ხელით დამუშავება, შაქრის დამზადება, მეთუნე-ობა, ტყავის დამუშავება, ასანთის წარმოე-ბა და სხვ. კვლავაც დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ხელოსნობას (საიუველი-რო ნაკეთობათა, ხალიჩის, შალის წარმო-ება, ლითონზე, ხეზე, სპილოს ძვალზე კვეთა და სხვ.).

ტრანსპორტი. რკინიგზის ტრანსპორტ-ზე მოდის ტვირთის გადაზიდვის 3/4 და მგზავრთა გადაყვანის დიდი ნაწილი. რკი-ნიგზის სიგრძეა დაახლ. 62 ათ. *კმ*, აქე-დან 30 ათ. *კმ* ფართოლიანდაგიანია (1977). იზრდება საავტ. ტრანსპ. მნიშვ-ნელობა (საავტ. გზების სიგრძეა 706 ათ. *კმ*, 1977) და სამდ. ნაოსნობა, მთავარი სანაოსნო მდინარეა ბრაჰმაპუტრა. საკუ-თარი ფლოტი უზრუნველყოფს საზღვ. სა-გარეო-სავაჭრო გადაზიდვების დაახლ. 20%-ს. 1977 ი-ის საზღვ. სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 5,24 მლნ. ბრუტო სა-რეგისტრო ტ. მთავარი ნავსადგურებია ბომბეი, კალკუტა, მარმაგანი, ვიშაქაპატ-ნამი, მადრასი, კოჩინი, ახ. ნავსადგურებია კანდლა და პარადიპი. საერთაშ. მნიშვნე-ლობის აეროპორტებია ბომბეიში, კალკუ-ტაში, დელისა და მადრასში.

საგარეო ვაჭრობა. 1976/77 ი-ის ექსპორ-ტმა შეადგინა 51,4 მლრდ. რუპია, იმპორ-ტმა—50,7 მლრდ. გააქვთ ჯუთის ნაწარმი, შაქარი, ბამბის ქსოვილები, ჩაი, ტყავი და ტყავის ნაწარმი, შინამრეწველურ-მხატვ-რული ნაკეთობანი და სხვ. შეაქვთ ნავთო-ბი და ნავთობპროდუქტები, მანქანა-მო-წყობილობანი, სურსათი, სასუქები, შავი და ფერადი ლითონები და სხვ. 1976/77 აშშ-ზე მოდიოდა ექსპორტის 10,8% და იმპორტის 21%, იაპონიაზე, შესაბამისად, 10,6% და 5,9%, დიდ ბრიტანეთზე — 10% და 6,4%, ირანზე — 6% და 9,3%, სსრკ-სა და ევრ. სოციალ. ქვეყნებზე — 15% და 9,5%, მ. შ. სსრკ-ზე — 8,7% და 6,1%.

ლიტ.: Владимирский Л. А., Экспортные отрасли и экспрот Индии, М., 1970; Гурвич Р. П., Индия. Продовольствие — возможности и перспективы, М., 1970; Сдасюк Г. В., Индия: география хозяйства, М., 1975.

VIII. შეიარაღებული ძალები

ი-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. მთავარსარ-დალია პრეზიდენტი. ჯარებს უშუალოდ ხელმძღვანელობს თავდაცვის მინისტრი. არმია, ავიაცია და ფლოტი კომპლექტდება მოხალისეებით. ოფიცერთა კადრს ამზა-დებენ სამხ. სასწავლებლებში, ეროვნ. კა-დეტთა კორპუსში. სპეც. გვარეობათა ჯარე-ბის ოფიცერთა ნაწილი სამხ. მომზადებას გადის უცხოეთში. შეიარაღებული ძალე-ბის საერთო რაოდენობაა 1055 ათ. კაცი (1976). სახმელეთო ჯარების რაოდენობაა 913 ათ. კაცი. სამხ.-საჰაერო ძალების (და-ახლ. 100 ათ. კაცი) შემადგენლობაში შე-დის 950 საბრძოლო თვითმფრინავი, სამხ.-საზღვ. ძალების (დაახლ. 42 500 კაცი) შემადგენლობაშია 70 მეტი საბრძ. ხომალ-დი 8. შ.—1 ავიამზიდი, 2 კრეისერი, 3 სა-ესკადრო ნაღმოსანი, 8 წყალქვეშა ნავი და-60-ზე მეტი ფრეგატი და სხვ. გემი. სამხ.-საზღვ. ავიაციას ჰყავს 60-ზე მეტი თვითმფრინავი და ვერტმფრენი. ძირითადი სამხ.-საზღვ. ბაზებია კალკუტა, კოჩინი, მადრასი. შეიარაღება და საბრძოლო ტექ-ნიკა ძირითადად უცხ. წარმოებისაა.



ვაგონთსაშენებელი ქარხანა. ქ. ბერამბური.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1968 შობადობა 1000 მცხოვრებზე 42,8 შეადგენდა, საერთო სიკვდილიანობა — 16,7. ბავშვთა სიკვდილიანობა ზუსტად არ არის აღრიცხული. სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა 52 წელი იყო. ი-ში გავრ-ცელებულია ნაწლავის ინფექციები, ჰელ-მინთოზები, ტრაქომა, ტუბერკულოზი (ყო-ველწლიურად იღუპება 1 მლნ. ადამიანი), ბავშვთა ინფექციები; 2,5 მლნ-მდე ადა-მიანი დაავადებულია კეთრით, ძალიან გავრცელებულია ქოლერა, ყოველწლიუ-რად აღირიცხება ყვავილის შემთხვევები, დიდია პირის ღრუსა და ცხვირ-ხახის კი-ბოთი დაავადებულთა რაოდენობა, ი-ის დას. და ზოგიერთ სხვა რ-ნში არის შავი ჭირის კერები, გავრცელებულია კანის ლეიშმანიოზი, ტრაქომა, დრაკუნკულოზი.

ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის ცენტრ. სამინისტრო განაგებს სამედ. განა-თლებისა და სამეცნ.-კვლ. ინ-ტების, აგ-ოთვე შტატების ნავსადგურებისა და აერო-პორტების ჯანდაცვის ორგანოების მუშა-ობას. ეროვნ. ჯანდაცვის საერთო დაგეგ-მვას ახორციელებს მთავრობა უმაღლესი საკონსულტაციო ორგანოს — ჯანდაცვის ცენტრ. საბჭოს მეშვეობით, რ-ის შემად-გენლობაში შედის ჯანდაცვის საკავშ. მი-ნისტრი (საბჭოს თავ-რე) და შტატების ჯანდაცვის მინისტრები.

1967 ი-ში იყო 15,7 ათ. საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყ-ბა, 4,4 ათ. ჯანმრ-თელობის ცენტრი და 10,5 ათ. დისპანსე-რი. 1970 მუშაობდა 112 ათ. ექიმი (1 ექი-მი 4810 მცხ.), 9 ათ. კბილის ექიმი, 51 ათ. ფარმაცევტი. 120 ათ-მდე საშ. მედ-მუშაკი. გარდა ამისა, ი-ში ფართოდაა გავრცელებული ხალხ. მედიცინა. სამედ. კადრებს ამზადებს 81 სამედ., 13 კბილის სამკურნ. კოლეჯი და 11 სამედ. სასწავ-ლებელი; საშ. სამედ. პერსონალს 480 სკოლა. 1963—64 ჯანდაცვაზე დაიხარჯა სახელმწ. ბიუჯეტის 5,6%.

ი. მდიდარია მინერ. წყაროებით. ბევ-რია კლიმ. სადგური, რ-ებიც ბუნებრივი სამკურნ. თვისებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.



მეტალურგიული ქარხანა. ქ. დურგაპური.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ინგლ. კოლონ. ბატონობის პერიოდში ი-ში განათლების ერთიანი სისტემა არ არ-სებობდა. 1950 კონსტიტუციით დეკლარი-რებულია 1960-იდან 14 წლის ასაკამდე ყვე-ლა ბავშვის უფასო სავალდებულო დაწყ. განათლება (ამ გადაწყვეტილების განხორციელება გადატანილია 1985-თვის). 1971-თვის წერაკითხვის მცოდნე მოსახ-

ცხრ. 1.—მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ც ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ს ა ხ ე ო ბ ა თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

პროდუქციის სახეობა	1950/51	1969/70	1976/77
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ· სთ*)	5, 9	51,4	89 ,2
ფოლადი (მლნ. *ტ*)	1,47	6,4	8,1
ალუმინი (ათ. *ტ*)	4, 0	135,1	208,7
ჩარხები (მლნ. რუპია)	3, 4	300	1157
ცემენტი (მლნ. *ტ*)	2, 7	13,8	18,8
გოგირდმჟავა (ათ. *ტ*)	101	1197	1650
აზოტიანი სასუქები (ათ. *ტ*)	9	716	1900
ჯუთის ნაწარმი (ათ. *ტ*)	837	944	1187
შაქარი (მლნ. *ტ*)	1,13	4,3	4,7

ლეობამ 29,4% მიაღწია. სახელმწ. დაწყ. სკოლა უფასოა, სწავლება მშობლიურ ენაზეა, მრავალეროვან რ-ნებში — რეგიონის ენაზე.

თანამედროვე ი-ში არის საბავშვო ბაღები (უმეტესად კერძო) 3—6 წლის ასაკის ბავშვებისათვის, დაწყ. და უმცროსი „ძირითადი" სკოლები (6 — 11-წლიანთათვის), არასრული საშ. და უფროსი „ძირითადი" სკოლები (11—14-წლიანთათვის), სრული (უმაღლესი) საშ. სკოლები (11—17-წლიანთათვის). „ძირითადი" განათლების საფუძვლები ჩამოაყალიბა 1937 მ. *განდიმ*. 1976 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 60 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, არასრულ საშ. სკოლაში — 15 მლნ-მდე, საშ. სკოლაში—10 მლნ-მდე. პროფტექ. განათლებას იძლევა არასრული საშ. სკოლის ბაზაზე შექმნილი 2—3-წლიანი კურსები. 1976 წ. 300-ზე მეტ პროფტექ. სკოლაში სწავლობდა 3 მლნ-ზე მეტი მოსწავლე. 2 მლნ-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა მუსიკისა და ცეკვის, ნატიფი ხელოვნ., მეოჯახეობის 200 ათ-ზე მეტ სასწავლებელში. 400-ზე მეტ საშ. ტექ. სასწავლებელში სწავლობდა 80 ათ-ზე მეტი სტუდენტი. ი-ში 110 უნ-ტი და ინ-ტია. მ. შ. უძველესია ბომბეის, კალკუტის, მადრასის უნ-ტები (1976 სულ სწავლობდა 3 მლნ-მდე სტუდენტი).

ი-ის სამეცნ.-კვლ. მუშაობას ხელმძღვანელობს სახელმწ. ორგანიზაციები: სამეცნ. და სამრეწვ. კვლევის საბჭო (თავრეა ი-ის პრემიერ-მინისტრი, საბჭოს უშუალოდ ექვემდებარება 30 სამეცნ. ცენტრი); ატომური ენერგიის კომისია; თავდაცვის კვლევითი ორგანიზაცია (თავდაცვის სამინისტროსთან, ხელმძღვანელობს 35 სამეცნ.-კვლ. ინ-ტს, ბევრ საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებასა და ლაბორატორიას); ი-ის სას.-საშ. კვლევის საბჭო (ხელმძღვანელობს 24 სამეცნ.-კვლ. დაწესებულებას); ი-ის სამედ.-კვლევითი საბჭო (ჯანდაცვისა და ოჯახის დაგეგმვის სამინისტროსი).

ი-ში ბევრი სამეცნ. საზ-ბა, ასოციაცია და რამდენიმე აკადემიაა. მ. შ. ყველაზე მნიშვნელოვანია ი-ის ეროვნ. მეცნ. აკადემია (დაარსდა 1935 და 1970-მდე ეწოდებოდა ი-ის ეროვნ. მეცნ. ინ-ტი). ყველაზე მასობრივი სამეცნ. საზ-ბაა ი-ის სამეცნ. კონგრესი, რ-ის წევრი შეიძლება იყოს ყველა ინდ. მეცნიერი.

დიდი ბ-კებია: ეროვნ. — კალკუტაში (დაარსდა 1902; 1,2 მლნ-ზე მეტი. ტ.), საჯარო — დელიში (დაარსდა 1951; 400 ათ-ზე მეტი ტ.) და სხვ. მთავარი მუზეუმებია: ი-ის ეროვნ. — დელიში (1949), ი-ის მუზეუმი კალკუტაში (1814), ეროვნ. სამხატვრო გალერეა მადრასში (1951); ჯ. ნერუს მემორიალური მუზეუმი და ბ-კა, მ. განდის მემორიალური მუზეუმი დელიში და სხვ.

XI. ფილოსოფია

ინდ. ფილოს. უძველესი პერიოდი მოიცავს საკულტო ტექსტების — ვედების განმარტების ცდას. ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში ქურუმ-ბრაჰმანებმა შექმნეს ვედების სისტემ. კომენტირების სკოლები, სადაც ყურადღებას იქცევდა შემდეგი ძირითადი პრობლემები: ყოფიერების ბუნება (ყოფიერება ესმოდათ, როგორც ერთიანი სულიერი არსი, რ-ითაც გამსჭვალულია მთელი სამყარო), ჭეშმარიტების ბუნება და შემეცნების შესაძლებლობა, ზნეობრივი ქცევა, თავისუფლების არსი და განთავისუფლების შესაძლებლობა, ენის ფილოსოფია. ამ პრობლემატიკამ შექმნა ბრაჰმანიზმის იდეოლოგიის საფუძველი, რ-საც შემდგომ გადმოსცემდნენ სანსკრ. ენაზე ზეპირი ტექსტების სახით (ბრაჰმანები, არანიაკები და უპანიშადები).

უპანიშადებში ასახულია ი-ის მთელი შემდგომი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი შინაარსი: ყოფიერება, ჭეშმარიტება და სიკეთე, როგორც უმაღლესი მიზნები და სულიერი არსებობის ფორმები, ერთიანდება ბრაჰმანის ცნებაში, ხოლო ინდივიდ. აზრები, სიტყვები და მოქმედებანი — ატმანას ცნებაში. იოგების პრაქტიკა განიხილება როგორც ფსიქ. აქტივობა, რ-იც ქმნის ბრაჰმან-ატმანას შემეცნების შესაძლებლობას.

ძვ. წ. VII—IV სს-ში განვითარდა ბრაჰმანურ-ვედური იდეოლოგიის საპირისპირო მიმდინარეობები, ლოკაიატა, ჯაინიზმი, ბუდიზმი და სხვ.

ადრინდ. კლასობრივ პერიოდში (ძვ. წ. IV—I სს.) წარმოიშვა ორთოდოქსული ფილოს. სისტემები, რ-ებიც მთლიანობაში საკვლევით ახასიათებდნენ ინდუიზმის იდეოლოგიის ფილოს. ასპექტს. დასმულ პრობლემათაგან ყველაზე ნათლადაა წარმოდგენილი რეალიზმის პრობლემა. ყველა ეს სისტემა მეტნაკლებად აღიარებდა სულიერი ან მატერ. საწყისის უპირობო რეალურ არსებობას.

ფილოს. განვითარების გვიანდ., კლასობრივ პერიოდში (ახ. წ. I—VIII სს.) გამოიკვეთა ორთოდოქსულ სისტემათა ძირითადი დებულებები და განვითარდა ბუდიზმის ფილოს. გვიანდ. ფორმები. შუა საუკ. (VIII—XVII სს.) კოლორიტული ფიგურაა შანკარა, რ-მაც სინთეზურად განავითარა ორთოდოქსული ფილოს. ტრადიციები, სრულყო იგი ბუდისტური დიალექტიკის გამოყენებით. შუა საუკ. დასასრ. (XV—XVI სს.) ძლიერდება სინთეზური რელიგ.-ფილოს. სისტემების შექმნის ტენდენცია. XVIII—XIX სს. ფილოსოფიაში ჭარბობდა რელიგ.-იდეალ. ტრადიციებთან დაკავშირებული განმანათლებლური იდეები, თუმცა საზ-ბა „ახალგაზრდა ბენგალი" ცდილობდა რელიგ. რეფორმაციის იდეები შეერწყა მატერ. იდეებთან. მატერ. იდეებს ქადაგებდა აგრეთვე აქშაი კუმარ დატი. XIX ს. II ნახევარში ფილოს. განვითარება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ი-ის ეროვნ. განთავისუფლების გზების ძიებასთან. ლოზუნგი „უკან, ვედებისაკენ" უკავშირდებოდა რაციონალიზმისა და მონოთეიზმის, პიროვნების აქტიურობისა და სოც. პროგრესის იდეების პროპაგანდას. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში ინდურ ფილოსოფიაში ძირითად როლს თამაშობდა ს. ვივეკანანდას განმათავისუფლებლური იდეები, რ-ებიც, მიუხედავად რელიგიასთან კავშირისა, ხელს უწყობდა მასების გააქტიურებას. XX ს-ში გავრცელდა აგრეთვე მ. განდის რელიგ.-ფილოს. და საზ.-პოლიტ. მოძღვრება, რ-იც იქცა ინდ. ეროვნ.-განმათ. მობრაობის იდეოლოგიად (იხ. *განდიზმი*).

1925 რ. თაგორისა და ს. რადჰაკრიშნანის ინიციატივით შეიქმნა ინდ. ფილოს. კონგრესი, რ-ის ყოველწლ. სესიებზე განიხილავენ ინდ. ფილოს. განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მატარებელია ი-ის კომუნისტური პარტია. მარქსისტი ფილოსოფოსები იკვლევენ ინდ. მატერიალიზმის, ბუდისტური ფილოსოფიის, ძვ. ინდ. ფილოს. სისტემების, ახ. და უახლესი ინდ. ფილოს., განდიზმის იდეოლოგიის არსსა და განვითარებას, აგრეთვე ი-ის სოც.-ეკონ. და პოლიტ. განვითარების კარდინალურ პრობლემებს.

ლიტ.: Пятигорский А. М., Материалы по истории индийской философии, М., 1962; Радхакришнан С., Индийская философия, [пер. с англ.], т. 1—2, М., 1956—57.

XII. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1977 ი-ში გამოდიოდა დაახლ. 11 ათ-ზე მეტი პერიოდული გამოცემა (მ. შ. 650 ყოველდღიური გაზეთი) 49 ენაზე, საერთო ტირაჟი — 29 მლნ. ც. ი-ის პრესა ძირითადად მონოპოლიების ხელშია. ი-ის ეროვნ. კონგრესის თვალსაზრისს გამოხატავს ყოველდღიური გაზეთები: „ნეშნლ ჰერალდი" („National Herald", 1938-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 30 .თ. ც.), „ამრიტა ბაზარ პატრიკა" („Amrita Bazar Patrika", 1868-იდან, ინგლ., ბენგ. და ჰინდი ენებზე, ტირაჟი 102 .თ. ც.), „ჯუგანტარი" (1937-იდან, ბენგ ენაზე, ტირაჟი 1851 ათ. ც.) და სხვ.; ი-ის ბურჟ. ინტერესებს გამოხატავს ყოველდღიური გაზეთები; „ჰინდუსტან ტაიმზი" („Hindustan Times", 1923-იდან, ინგლ. ენ.ზე, ტირაჟი 153 ათ. ც.), „ჰინდუსტანი" (1933-იდან, ჰინდი ენაზე, ტირაჟი 163 ათ. ც.) და სხვ. ი-ის კომპარტიის ცენტრ. ორგანოა გაზ. „ნიუ ეიჯი" („New Age", 1953-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 15,7 ათ. ც.), პარალელური კომპარტიისა—„პიპლ'ს დემოკრასი" („People's Democracy", 1965-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 9,4 ათ. ც.) და სხვ. პროგრ. გამოცემებია: ყოველკვირეული ჟურნ. „ბლიცი" („Blitz", 1941-იდან, ინგლ., ურდუ და ჰინდი ენებზე, ტირაჟი 250 ათ. ც.), ყოველდღიური გაზ. „პეტრიოტი" („Patriot", 1963-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 47 ათ. ც.) და სხვ. ი-ის უდიდესი საინფორმაციო სააგენტოა „პრესს ტრასტ ოვ ინდია"(„Press Trust of India"), დაარსდა 1949 ბომბეიში. რადიოგადაცემები მიმდინარეობს 1927-იდან, ტელეგადაცემები—1959-იდან, ტელეცენტრი დელიშია.

XIII. ლიტერატურა

ი-ის ლიტ-რა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. პირველი ლიტ. ძეგლი — *ვედა* — რელიგ. (ინდუისტური) ხასიათისაა. ძვ. წ. დაახლ. VI—V სს-ში დაიწყო და ახ. წ. დასაწყისში დასრულდა პოემის *„მაჰაბჰარატას"* (ქართულად თარგმნილია ნაწყვეტი 1910; *„ბჰაგავადგიტა"*, 1963) რედაქცია სანსკრიტზე. ძვ. წ. დაახლ. IV ს-ში შეიქმნა პოემა *„რამაიანა"* (ქართ. თარგმანი 1897). ეს ორი პოემა მომდევნო ხანის ინდ. მწერალთა შთაგონების წყაროდ იქცა. ძვ. წ. დაახლ. V ს-ში შეიქმნა ბუდისტური ლიტ-რა პრაკრიტებსა და პალიზე (შემდეგ ხანებში — სანსკრიტზე). მნიშვნელოვანი ბუდისტური თხზულებებია *ჯატაკები*. სანსკრიტულენოვანი ბუდისტური ლიტ-რის წარმომადგენელია *აშვაგჰოშა*. ძვ. წ. V ს-იდან იწყება *ტამილური ლიტერატურის* ისტორია. ახ. წ. დასაწყისიდან განვითარდა პროზა. სანსკრიტზე შეიქმნა ფოლკლორული იგავ-არაკების, ზღაპრებისა და მოთხრობების კრებულები: *„პანჩატანტრა"*, *„ჰიტოპადეშა"*, „ვეტალაპანჩავინშატი" („ვეტალას ოცდახუთი მოთხრობა", დაახლ. XI ს.) და სხვ. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ამ პერიოდში ძვ. ინდურმა დრამამ. *აშვაგჰოშას*, *ბჰასას*, *კალიდასას*, *შუდრაკასა* და სხვათა დრამებში გამოყენებულია მითოლ. და თანამედროვე თემატიკა. აღსანიშნავია კალიდასას „შაკუნტალა" (ქართ. თარგმანი 1966) და „მალავიკა და აგნიმიტრა" (ქართ. თარგმანი 1973). შეიქმნა სათავგადასავლო რომანები და ლიტ.-თეორ. ნაშრომები.

დაახლ. VII ს-იდან იქმნება ლიტ-რა ახ. ინდ. ენებსა (იხ. *ასამური ლიტერატურა*, *ბენგალური ლიტერატურა*, *გუჯარათული ლიტერატურა*, *ქაშმირული ლიტერატურა*, *მარათული ლიტერატურა*, *ორიას ლიტერატურა*, *პენჯაბური ლიტერატურა*, *სინდჰური ლიტერატურა*, *ურდა ლიტერატურა*, *ჰინდური ლიტერატურა*) და დრავიდულ ენებზე (იხ. *კანადა ლიტერატურა*, *მალაიალამური ლიტერატურა*, *ტელუგუს ლიტერატურა*). ამავე დროს წარმოიშვა ავდ. (პუშტუ) და, მაჰმადიანური სახელმწიფოების შექმნასა და მაჰმადიანობის გავრცელებასთან ერთად, სპარსულენოვანი ლიტ-რა. აღსანიშნავია ამირ *ხოსროვ დეჰლევის*, ამირ ჰასან დეჰლევის (XIV ს.), აბულ ფაიზ ფაიზის (XVI ს.), მირზა აბდ ალ-კადირ *ბიდილის* შემოქმედება.

ადრინდ. შუა საუკუნეებში ძლიერ დაქვეითდა კლასიკური სანსკრ. ლიტ-რა. გან-


ქართველური ენათა ჯგუფი
1 ქართული
2 ზანური (მეგრული - ქანური)
დაღესტნური ენათა ჯგუფი
ხუნძური - ანდიური - დიდოური ქვეჯგუფი
11 ხუნძური
12 ანდიური
22 დარგული
ლეზგიური ქვეჯგუფ.
23 ლეზგიური
ᲩᲔᲩᲜᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲔᲑᲘ
ᲡᲝᲩᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲠᲘ
ᲡᲝᲩᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲠᲘ


1: 65 000 000
ყინულების საშუალო საზღვარი ემსორესი გავრცელების პერიოდში (ზაფხული)
ყინულების საშუალო საზღვარი უდიდესი გავრცელების პერიოდში (ზამთარი)
აისბერგების უდიდესი გავრცელების საზღვარი
თბილი და ცივი დინებები ზამთარში ჩრდილოეთ ნახევარსფეროში

-თარდა სახოტბო (აპაბჰრანშაზე) და ᲠᲚᲘᲒ.-მისტ. პოეზია. შუა საუკ. ინდ. ᲚᲘᲢ-რაში მკაფიოდ გამოიხატა ხალხუ-ᲠᲝᲜᲘᲡ ტენდენციები. სანსკრიტულენოვანი ᲚᲘᲢ-რა არსებობას განაგრძობდა XIX ს-ᲨᲘ. ᲚᲘᲢ-რის ძირითადი სახეობა იყო ᲞᲝᲔᲖᲘᲐ. სანსკრიტზე დაწერილი რელიგ.-ᲤᲘᲚᲝᲡ. და სამეცნ. ხასიათის პროზა გაᲠᲑᲐᲠᲘ იყო ხალხის ფართო მასებისათვის. ᲚᲘᲢ-რაში დემოკრ. იდეების დამკვიდრე-ᲡᲗᲐᲡ ხელს უწყობდა XII ს-ში წარმოქმნილი ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ ბჰაქტი (ერთგულება), რ-ის ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ყველა ადამიანი თანასწორია ᲦᲕᲗᲘᲡ წინაშე. ამ იდეებს ქადაგებდნენ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ პოეტები: მარათელი *ნამ-ᲓᲔᲕᲘ*, ბენგალელი *ჩანდიდასი*, ᲰᲘᲜᲓᲝᲔᲜᲝᲜᲘ *ქაბირი* და სხვ.

შუა საუკუნეებში განვითარდა საგმირო-ᲔᲠᲘᲙᲣᲠᲘ პოეზია („რასო"). XVII ს. ლიტ-ᲠᲐᲢᲣᲠᲐ მშარს უჭერდა მოგოლთა იმპერიაში ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ხალხების განმათ. მოძრაობას. ᲰᲐᲠᲐᲨᲢᲠᲔᲚᲘ ტუკარამი (1609—50) თა-ᲡᲘᲡ აბჰანგებში (ᲰᲘᲛᲜᲔᲑᲘ) აგვიწერს მშრო-ᲚᲗᲐ უუფლებობასა და სიღატაკეს. მა-ᲗᲔᲚᲗᲐ განმათ. მოძრაობის იდეური ᲓᲚᲘᲡᲬᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ იყო რამდასი (1608—). ᲞᲔᲜᲯᲐᲑᲔᲚᲘ ხალხის ბრძოლა მოგო-ᲚᲔᲑᲘᲡ წინააღმდეგ ასახულია გოვინდ ᲜᲒᲐᲰᲘᲡ (1666—1708) პოეზიაში და ა. შ.

XVIII ს-ში Ო-ში ინგლ. კოლონიზაციო-ᲓᲘᲓᲘ ზნით შეაჩერა ინდ. ᲚᲘᲢ-რის განᲗᲐᲠᲔᲑᲐ. ამ დროის პოეტების შემოქმე-ᲥᲛᲔᲑᲐ შემოიზღუდა ძვ. სიუჟეტების გადამᲗᲐᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲜᲓ. ᲚᲘᲢ-რის ახ. აღორძინების ხანა ᲘᲬᲧᲝ XIX ს. II ნახევრიდან. ამ დროის ᲒᲝᲠᲙ. ᲚᲘᲢ-რა ასახავდა ინგლ. კოლონ. ᲠᲔᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ, მოუწოდებდა ხალხს ეროვნ.-ᲗᲐᲗᲐᲗ. ბრძოლისაკენ. კოლონიზატორე-ᲑᲘ დეენიდნენ პროგრესულად მოაზროვნე ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲐ. ამ პერიოდისათვის დამახასია-ᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ სალიტ. ენის დაახლოება სასა-ᲠᲗᲝ ენასთან. ახ. ბენგ. ᲚᲘᲢ-რის ფუძე-ᲗᲐᲑᲔᲚᲘ და ეროვნ. რომანის შემქმნელი ᲑᲐᲜᲙᲘᲛᲩᲜᲓᲠᲝ *ჩატტოპადჰაი* სალიტ. ბენგ. ᲘᲡ რეფორმატორია. ᲑᲔᲜᲒ. და მთელი ᲘᲜᲓ. ᲚᲘᲢ-რის უდიდესი წარმომადგენᲚᲘᲐ რაბინდრანათ *თაგორი*.

XX ს. 20-იანი წლებიდან ინდ. ᲚᲘᲢ-ᲨᲘ მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები ᲛᲝᲓᲘᲡ ოქტ. სოციალ. რევ. გამომახილია. ᲘᲜᲓ. ენებზე ითარგმნა საბჭ. მწერლების წარმოებები. მ. გორკის ზეგავლენა საგრᲝᲑᲘᲐ მრავალი პროგრ. ინდ. მწერლის შეᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ (*პრემჩანდი*, კრიშან *ჩანდრა*, მულქ რაჯ *ანანდი*, იაშპალი და სხვ.).

საუკუნენახევარია, რაც არსებობს ᲘᲜᲚᲘᲡᲣᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲓᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ინგლისურენოვან ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲔᲑᲡ საფუძველი ჩაუყარა რაᲯᲐᲰᲐᲜ *რაიმ*. პირველი ინგლისურენოვანი ᲞᲝᲔᲢᲘ იყო ჰენრი დეროზიო (1809—31). IX ს. ინგლისურენოვანი ინდ. ᲚᲘᲢ-რის ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ წარმომადგენლები იყვნენ: ᲛᲘᲥᲚ მადჰუშუდონ დატი (1827—73), ᲠᲝᲛᲔᲨ ჩანდრა დატი (1848—1909) და სხვ. X ს. მწერალთაგან გამოირჩევიან: საᲞᲣᲯᲘᲜი ნაიდუ (1879—1949), კ. ს. ᲔᲜᲙᲐ-ᲠᲐᲛᲐᲜი (1891—1952), ბჰაბანი ბჰატᲐᲠᲘᲐ (დ. 1906) და სხვ.

ლიტ.: ᲑᲣᲜᲔᲙᲔᲚᲘ Თ., რაბინდრანათ ᲗᲐ�გორი, თბ., 1961; **История индийских литератур**, пер. с англ., М., 1964; **Калинникова Н. Я., Англоязычная литература Индии**, М., 1974. *გრ. ნანუცრიშვილი.*

XIV. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

Ო-ის მშატერული კულტურა სათავეს ᲐᲦᲔᲑᲡ ᲫᲕ. ინდოსა და განგის ნაპირებზე ალᲛᲝᲪᲔᲜᲔᲑული უძველესი ცივილიზაციებᲘᲡᲐᲜ, რ-ებიც საფუძვლად დაედო პაკისტ. ᲞᲐᲢᲕᲠᲣᲚ კულტურასაც. მაღალგანვითარებულ ᲰᲐᲠᲐ�პᲘᲡ ცივილიზაციას(ძვ. წ. III ᲐᲡᲐᲬᲚ. შუა ხანები — დაახლ. ძვ. წ. II ᲐᲡᲐᲬᲚ. შუა ხანები) მიეკუთვნება დიდი ქ-ები სანგჰოლი (აღმოჩენილია პატიალის რ-ნში) და ლოთალი (კათიავარის ნ.-კ-ზე). ამავე ხანისა მოხატული კერამ. ჭურჭელი, ქვისა და ტერაკოტის სტატუეები. ჩრდ. Ო-ის კულტურაზე, ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანებიდან I ათასწლ. შუა ხანებამდე წარმოდგენას იძლევა ლიტ. წყაროები (ვედა და სხვ.), აგრეთვე შემდგომი დროის ქანდაკება და ფერწერა. ხით, თიხითა და ლერწმით ნაგები სახლების ფორმა და ტიპი საფუძვლად დაედო ქვის დიდი ტაძრების ხუროთმოძღვრებას. რეგულარული გეგმით იყო განაშენიანებული ქ-ები მათურა, პატალიპუტრა და სხვ. (ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანები). მოსახლ. განაწილებული იყო კვარტალების მიხედვით, ბრაჰმანიზმის მიერ დადგენილი საზ-ბის ვარნებად დაყოფის შესაბამისად. დასახლების ეს პრინციპი თითქმის შუა საუკუნეებამდე შემორჩა. Ო-ის ხელოვნება აყვავდა ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფოს მაურიის დროს (ძვ. წ. IV—II სს.). ქ-ებში შენდებოდა სასახლეთა და ციხე-სიმაგრეთა დიდი კომპლექსები (მეფე აშოკას სასახლე პატალიპუტრაში, ძვ. წ. III ს.). ᲑᲣᲓᲐᲰᲛᲘᲡ გავრცელებას (ძვ. წ. III ს.) მოჰყვა ტაძრების — *ჩაიტიეების*, მონასტრების, რ-შიც შედიოდა ჩაიტია და ბერების საერთო საცხოვრ. „ვიჰარა", აგრეთვე მემორიალურ ნაგებობათა — სტუპებისა (სტუპა № 1 სანჩიში, ძვ. წ. III—II სს.) მონოლითური ქვის სვეტების — სტამბჰების („ლომის კაპიტელი", დაახლ. ძვ. წ. 243) მშენებლობა.

ძვ. წ. II—I სს-ში Ო-ის ხელოვნებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია ანდჰრისა (დეკანში) და შუნგის (ჩრდ. Ო.) მონათმფლობელურ სახელმწიფოებში (კლდეში ნაგვეთი მონასტრები: ბჰაჯა, ნასიკა, გარლი და სხვ.).

ახ. წ. პირველ საუკუნეებში არსებულ ქუშანის სამეფოსთან არის დაკავშირებული მათურის სკოლის ხელოვნება; აქ პირველად ჩნდება ბუდას ანთროპომორფული გამოსახულებანი. Ო-ის ხელოვნება მაღალ განვითარებას აღწევს გუპტების მონათმფლობელურ სახელმწიფოში (IV—VI სს.; ტაძარი № 17, V ს., სანჩიში და სხვ.). კანონიკურად დასრულებულ სახეს იღებს ბუდას გამოსახულება (ბუდას ქანდაკება სარნათიდან, ქვიშაქვა, V ს.).

დეკანის, სამხრ. და ჩრდ. Ო-ის ადრინდ. შუა საუკ. ფეოდ. სახელმწიფოებში ინდუიზმის გაბატონების შემდეგ, დაახლ. VI ს-იდან, იქმნება კლდეში გამოკვეთილი ბრაჰმანული და ჯაინისტური ტაძრები (*აჯანტის* გამოქვაბულთა კომპლექსი ელორაში). VI—VII სს-ში ჩამოყალიბდა მიწისზედა ტაძრების 2 ტიპი: ჩრდ-ისა (ინდ.-არიული) და სამხრეთისა (დრავიდული). სამხრ. ტიპის ტაძრებისათვის დამახასიათებელია საფეხურებიანი პირამიდისებრი გუმბათოვანი გადახურვა—შიქარა, ჩრდ. ტიპისათვის — დისკო-„ამალაკით" დასრულებული პარაბოლისებრი მოხაზულობის შიქარა. სამხრ-ის სატაძრო არქიტ. პრინციპებს საფუძველი ჩაუყარა *მაჰაბალიპურამისა* და კანჩიპურამის ტაძრებმა. კანჩიპურამის სატაძრო კომპლექსი (კაილასანათა, VIII ს. I ნახ.) საერთოდ სამხრ. Ო-ის ტაძრების კომპოზიციის განვითარების საფუძველი გახდა (სწორკუთხა ეზო, რ-საც გარს ერტყვა ნიშები ღვთაებათა ქანდაკებებით, შიქარით დაგვირგვინებული მთავარი სამლოცველო, მრავალსვეტიანი დარბაზი — „მანტაპამი" მლოცველთათვის). ეს კომპოზიცია განმეორებულია კლდეში გამოკვეთილ ელორის გრანდიოზულ ტაძარში (VIII ს. შუა ხანები), რ-შიც ადრინდ. შუა საუკ. პლასტიკურმა ხელოვნებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

X—XI სს-ში Ო-ში ფეოდალიზმის განმტკიცებას მოჰყვა ქ-ების სწრაფი ზრდა. სამოქალაქო ნაგებობანი არ გადარჩენილა. სატაძრო არქიტექტურა უფრო დეკორატიული და რთულია. X—XIII სს-ში Ო-ის სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქების ტაძრებისათვის დამახასიათებელია ადგილ. არქიტ. სკოლის ნიშნები. ორისის ტაძრები, მაგ., ხასიათდება ჩრდ. ტიპის მკვეთრად გამოხატული ნიშნებით (ლინგარაჯის ტაძარი *ბჰუბანეშვარში*).

X—XI სს-ში სამხრ. Ო-ში აგებული ტაძრების [დიდი ტაძარი (ბრაჰადეშვარა) თანჯავურში, XI ს.] კომპოზიცია სრულყოფილია, სილუეტი—გამოკვეთილი, პლასტ. დეკორი — ზომიერი.

X—XII სს-ში ჩრდ. Ო-ში გავრცელდა ბრინჯაოს პლასტიკა (მრავალხელიანი ნატარაჯანის—ცეკვის ღმერთის სახით გამოსახული ღმერთ შივას ქანდაკებები).

XII ს. დასასრულსა და XIII ს. დასაწყისში მუსლიმან ფეოდალთა Ო-ში გაბატონებას მოჰყვა ახ. კულტ. ტრადიციები. დაინერგა ახ. კონსტრ. ელემენტები (თაღები, გუმბათები, კამარები) და ნაგებობათა ტიპები (მეჩეთები, მინარეთები, მედრესეები, მავზოლეუმები). დაქვეითდა ქანდაკება და ფერწერა (ისლამი კრძალავს ცოცხალ არსებათა გამოსახვას), გავრცელდა გეომ. და მცენარეული ორნამენტი. დელის სასულთნოს ხანაში (XIII ს. დასაწყისი — XIV ს. შუა ხანები) დელიში აშენდა კუტბ-მინარის მინარეთიანი კუვატულ-ისლამის მეჩეთი (დაიწყო 1193). განაშენიანდა ქალაქები (სირი, ჯაჰანფანაჰი, XIV ს.). სასულთნოს დაცემის შემდეგ ქვეყანა დაქუცმაცდა. ამ ხანებში გუჯარათის სახანოში აშენდა სიდი-საიდის მეჩეთი (დაახლ. 1515) აჰმადაბადში, გოლ-გუმბაზის მავზოლეუმი ბიჯაპურში. დიდ მოგოლთა იმპერიის შექმნასთან ერთად (1526) Ო-ის ხელოვნებაში იწყება ახ. აღმავლობა (ციხესიმაგრე აგრაში). შეიქმნა მავზოლეუმის კლასიკური ტიპი (ᲰᲣᲛᲐᲘᲣᲜᲘᲡ მავზოლეუმი დელიში, 1565; თაჯმაჰალის მავზოლეუმი აგრაში, XVII ს.); ხოლო რაჯასტანის დედაქალაქი ჯაიპური (დაარსდა 1728) მსოფლიო ქალაქთმშენებლობაში ქალაქ-ანსამბლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ძვ. ტაძრებს გარს ავლებდნენ ახ. გალავნებს, რ-ებშიც ჩართული იყო ჭიშკრის კოშკები—„გოპურამები". საუკუნეების მანძილზე გალავანს გალავანი ემატებოდა და სატაძრო ანსამბლი გამაგრებულ ქალაქად (სატაძრო კომპლექსები ჩიდამბარამში, მადურაიში და სხვ.) იქცეოდა.

შუა საუკუნეებში Ო-ში განვითარდა სამინიატიურო ფერწერა; ცნობილია გუჯარათის (XI—XVI სს.), მოგოლური (XVI ს.), დეკანის (XVI—XVII სს.) სკოლები.

ინგლ. კოლონ. ბატონობის დროს (XVIII ს.—1947) Ო-ში ევრ. კულტ. გავლენამ იჩინა თავი. ეროვნ. კულტურა დაეცა. სწრაფად გაიზარდა სანავსადგურო ქ-ები: კალკუტა, მადრასი, ბომბეი. ქ-ები იყოფოდა კეთილმოწყობილ ევრ. და უწესრიგოდ განაშენიანებულ მუშათა კვარტლებად. ამ ხანებში

ბაბურის შესვლა სულთან იბრაჰიმის სასახლეში აგრაში ქალაქის აღების შემდეგ. მოგოლური მინიატიურა, XVI ს.

აშოკას სტამბჰის სვეტისთავი („ლომების სვეტისთავი"). სარნათი. დაახლ. ძვ. წ. 243. ქვიშაქვა. სარნათის მუზეუმი.

ბუდას ქანდაკება. სარნათი. V ს. ქვიშაქვა. სარნათის მუზეუმი.

ჩ. კარი. „ეოცნა". ქვა. 1961.

ქალაქთმშენებლობის ნიმუშია ნიუ-დელი (განაშენიანდა 1912-იდან 30-იან წლებამდე). XVIII ს-იდან — XIX ს. შუა ხანებამდე ადმ. სახლების არქიტექტურაში ჭარბობს ინგლ. კლასიციზმის ფორმები, შემდეგ ნეოგოთიკისა. 1850-იან წლებში დაარსებულმა რამდენიმე სამხატვრო სკოლამ ხელი შეუწყო პროფ. ხელოვნების შექმნას (მხატვარი რ. ვარმა). XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში და XX ს. დასაწყისში ეროვნ.-განმათ. მოძრაობასთან დაკავშირებით იწყება ინდ. ხუროთმოძღვრების ტრად. ფორმების სტილიზაცია (უნ-ტი პაიდარაბადში, 1918). ინდ. მხატვრებმა ა. თაგორისა და ხელოვნებათმცოდნე ე. ბ. ჰაველის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარეს ე. წ. „ბენგალურ აღორძინებას", რ-ის მიზანი იყო ძვ. ტრადიციების საფუძველზე ახ. ეროვნ. ხელოვნ. შექმნა (ნ. ბოსი, ს. გუპტა, ს. უკილი და სხვ.), მან დიდი გავლენა იქონია ინდ. ხელოვნ. შემდგომ განვითარებაზე. ინდ. ხელოვნ. ტრადიციებთან ევრ. ხელოვნ. ახ. მიმდინარეობათა შერწყმის პრინციპებს ეყრდნობოდა შანტინიკეტანის (კალკუტის მახლობლად) სამხატვრო სკოლა (გ. თაგორი და სხვ.) 30—40-იან წლებში მოღვაწეობდნენ მხატვრები: ა. შერ-გილი, ჯ. როი, რეალისტი მხატვარი დ. პ. როი ჩოუდჰური, მოქანდაკე ე. პ. კარმარკარი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ი-ში გაიშალა გრანდიოზული მასშტაბის მშენებლობა. 1950-იან წლებში საბჭ. და უცხ. სპეციალისტების დახმარებით აშენდა ჰიდროენერგეტ. კომპლექსები (უდიდესი — ბჰაკრა-ნანგალი); მანქანათსაშ. ქ-ნები (რანჩიში, 1961—63). 1950—60-იან წლებში დიდი სამრეწვ. ცენტრების ირგვლივ შეიქმნა დაახლ. 500-მდე ქალაქი და დაბა (ჩანდიგარჰი, 1951—56, უცხოელ და ინდ. არქიტექტორთა ჯგუფი ლე კორბუზიეს ხელმძღვანელობით). გაიზარდა ძვ. ქ-ები (დელი, კალკუტა, ბომბეი, მადრასი). დიდ ქ-ებში შენდება ეკლექტიკური, თანამედროვე და დას. ევრ. სტილის (ძირითადად ფუნქციონალისტური) შენობები. აგრეთვე ისეთი შენობები, რ-ებშიც შეთანხმებულია ტრად. და ახ. საშენი მასალა (8. განდის მუზეუმი აჰმადაბადში, 1960—63, არქიტ. ჩ. კორეა). მცირე ქ-ების განაშენიანება ძირითადად ხალხ. ხუროთმოძღვრების ტრადიციების მიხედვით მიმდინარეობს.

დამოუკიდებელი ი-ის სახვით ხელოვნებაში შეიქმნა მრავალი მიმდინარეობა და სკოლა. „ბენგალური აღორძინების" ტრადიციების მიმდევარია ბ. უკილი და სხვ.; რეალისტური მიმართულებისა — მოქანდაკე და მხატვარი ს. ქასტგირი, გრაფიკოსი ჰ. დასი. ი-ის ტრად. და ევრ. ხელოვნ. ურთიერთშეთანხმების პრინციპს იცავენ ფერმწერები და გრაფიკოსები: კ. კ. ჰებარი, შ. ჩავდა, ს. გუჯრალი; მოქანდაკე ჩ. კარი, ჰ. დ. გუპტა და სხვ. 1950—60-იან წლებში ძლიერდება მოდერნისტულ მიმდინარეობაში (აბსტრაქციონიზმი, „პოპ-არტი"; მხატვრები: ს. ფ. ჰუსეინი, შ. ჩავდა, ჩ. კარი).

ი-ის დეკორ.-გამოყენებით ხელოვნებაში ინტენსიურად ვითარდება ხელოსნური წარმოების უძველესი სახეები: ფეიქრობა, ხეზე, ქვასა და ძვალზე კვეთა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა და სხვ.

ლიტ.: Гусева Н. Р., Современное декоративно-прикладное искусство Индии, М., 1964; Короцкая А. А., Архитектура. კრ.: Культура современной Индии, М., 1966; Вислов, Архитектура Индии раннего средневековья, М., 1964; Прокофьев О., Искусство Индии, М., 1964.

XV. მუსიკა

ი-ის უძველესი და თვითმყოფი მუს. კულტურის სათავეები ხალხ. საკულტო რიტუალებში უნდა ვეძიოთ. ი-ის მუსიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის შრომითსა და სულიერ შემოქმედებასთან, ეროვნ. კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან. ი-ის მუსიკის წარმოშობას ტრადიციულად უკავშირებენ უძველეს ლიტ.ძეგლს— „სამაგედას" (ძვ. წ. II ათასწლ.)—მსხვერპლშეწირვის დროს საგალობელი ჰიმნ-შელოცვების კრებულს. თეატრის, მუსიკისა და ცეკვის ტრაქტატი - „ნატიაშასტრა" (ახ. წ. პირველი საუკუნეები) საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ი-ში მის შექმნამდე არსებობდა მაღალგანვითარებული, თვითმყოფი მუს. სისტემა.

ი-ის მუსიკისათვის დამახასიათებელია როგორც საკრავიერი, ისე ვოკალური ნაწარმოების იმპროვიზაცია ერთ-ერთ ტრად. კილო-რიტმულ წყობაზე — რაგაზე. რაგა ინდ. მუსიკალური ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მცნებაა. თითოეული რაგა ლრმად გააზრებული, გაპოეტურებულია და წარმოადგენს კონკრ. მხატვრულ სახეს. ასე მაგ., რაგა-ვასანტა გაზაფხულის სიმბოლოა, რაგა-კამალა — ლოტოსი, რაგა-მეგჰა — წვიმის მომასწავებელი ღრუბელი, რაგა-შანტი ქმნის სიმშვიდის ასოციაციას, რაგა-შრინგარა — სიყვარულის, რაგა-ჰასია — მხიარულებისა. ჩვეულებრივ წელიწადის ან დღე-ღამის გარკვეულ დროს სხვადასხვა რაგას ასრულებენ (დილის, საღამოს, შუადღის მელოდიები).

კლასიკური მუს. კომპოზიცია სამნაწილიანი ფორმითაა წარმოდგენილი. იწყება ალაპათი (თემის ნელი გადმოცემით). მას მოჰყვება რთული მელოდიურ-რიტმული ვარიაციები დასარტყამი მუს. საკრავების თანხლებით და ბოლოვდება გატათი (თემის რთული მელოდიური ვარიანტები ნატიფი ორნამენტიკით). ი-ის მუსიკა ერთხმიანია, ამიტომ მის შექმნა-განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რიტმს. რიტმი მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

ი-ში ფეოდ. იმპერიის შექმნის შემდეგ მუს. კულტურა მჭიდროდ დაუკავშირდა მუსლ. აღმოსავლეთის მუსიკას. ინდუსებისა და მუსლიმანების ტრად. ხელოვნ. სინთეზის შედეგად შეიქმნა ახ. მუს. სტილი.

თუმცა პროფ. მუსიკას დასაბამი ფოლკლორში აქვს, კლასიკური და ხალხ. მუსიკის ჟანრები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

XX ს. დასაწყისში ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდება ინტერესი ეროვნ. ფოლკლორისადმი. განსაკუთრებით საგრძნობია ეს რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებაში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ი-ის მუსიკამ ახ. განვითარებას მიაღწია. შეიქმნა მუსიკის, ცეკვისა და დრამის აკადემია (1953), სრულიად ინდოეთის რადიოს ეროვნ. ორკესტრი (1952), საგუნდო კოლექტივები დელის, ბომბეისა და 16 ქალაქის რადიოცენტრებთან, მუდმივი ბეჭდვითი ორგანოები. 1954-იდან ტარდება ინდ. სიმღერების კონფერენციები, დისკუსიები და სიმპოზიუმები მუს. შემოქმედების პრობლემებზე. ტარდება მუს. განათლებისა და ნოტაციის რეფორმა და სხვ.

ინდ. კინომუსიკა თანამედროვე ი-ის მუს. კულტ. ახ. მოვლენაა. მისთვის დამახასიათებელია აღმ. და დას. მუს. ხელოვნ. სინთეზი. კინომუსიკას წერენ კომპოზიტორები: ა. ბისვასი („მუნა", „ნუგეშისმცემელი ჰამდარდი"), ნ. ალი („ბაიჯუ ბავრა", „დიდარი") და სხვ.

ინდ. მუს. თეატრი, რ-იც უძველესი დროიდან არსებობს, მრავალფეროვანი-სინთეტური ფორმებით ხასიათდება. იგი მუს. გამომსახველობასთან ერთად შეიცავს ცეკვას, პანტომიმასა და სიტყვას. მნიშვნელოვანია ფორმები: ჯატრა, თამაშა და იაქშაგანა. ეროვნ. და სახ. დღესასწაულებზე ყალიბდება დასები, რ-ებიც დგამენ მუს.-საცეკვაო წარმოდგენებს. 50—70-იანი წწ. დასაწყისში მუს. თეატრის წამყვანი კომპოზიტორები არიან: ანილ ბისვასი, შილა ვატსი, ბაჰადურ ჰუსეინ ხანი, გულიამ ჰაიდარი, რავი შანკარი და სხვ. გამოჩენილ თანამედროვე ინდ. მუსიკოსი ნარაიან მენონი იუნესკოსთან არსებულ მსოფლიო მუსიკალური საბჭოს პრეზიდენტია.

ლიტ.: Культура современной Индии, М., 1966; Сикивер Л., Музыка Индии, М., 1958.

XVI. თეატრი

ი-ის ხალხ. თეატრ. ხელოვნება უძველეს დროში ჩაისახა და ჩვენამდე თითქმის უცვლელად მოაღწია. წარმოდგენებს საფუძვლად უდევს სიუჟეტები ეპიკური პოემიდან „რამაიანა" და „მაჰაბჰარატა". მსახიობის სპექტაკლის ძირითადი ფიგურა და კარგად ფლობს დეკლამაციის, პანტომიმის, სიმღერის ხელოვნებას. ტრად. ხალხ. თეატრში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქორეოგრაფიას, რ-ის საფუძველზედაც ალაგმოცენდა ეროვნ. კლასიკური ცეკვის 4 სკოლა: ბჰარატ-ნატიამი, კათაკალი, კათაკალი, მანიპური.

ხალხ. თეატრ. ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ი-ის კლასიკურ თეატრზე (შეიქმნა ძვ. წ. V—I სს-ში). ძვ. ინდ. ტრაქტატ „ნატიაშასტრაში" (ძვ. წ. პირველი საუკუნეები) ჩამოყალიბებულია მსახიობის ხელოვნ. მკაცრად დადგენილი ნორმები. წარმოდგენებს საფუძვლად უდევს ხალხ. მითები. დრამის მთავარი მოქმედ პირები არიან ღმერთები, გმირები, წმინდანები, წარჩინებულნი. სოც. კონფლიქტი ბისა და ტრაგედიის ჩვენება სასტიკად აკრძალულია.

კლასიკური ინდ. თეატრის მიღწევები დაკავშირებულია ბჰასას, კალიდასასა და შუდრაკას შემოქმედებასთან (I7—VI სს.) XII—XIII სს-ში, მუსლ. ღინასტიების ბატონობის პერიოდში, კლასიკური თეატრი თითქმის გაქრა. XIX ს. II ნახევრიდან ეროვნ. მოძრაობის განვითარებასთან ერთად ი-ში შეიქმნა ევრ. ტიპის თეატრები. 1872 ბენგ. დრამატურგმა გ. გჰოშმა დააარსა პირველი ეროვნ. თეატრი, რ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნ. განმათ. ბრძოლაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თეატრ. ხელოვნება აღორძინდა. მის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს 1953 დაარსებული მუსიკის, ცეკვის და დრამის აკადემია, რ-საც ქვეყნის ყველა შტატში აქვს ფილიალები.

მუდმივი თეატრ. დასები მუშაობდნენ კალკუტაში, ბომბეიში, დელიში, მადრასსა და სხვ. ქ-ებში. 60-იან წლებში ი-ში 30 პროფ. თეატრ. კოლექტივი იყო. 19[illegible] მუსიკის, ცეკვისა და დრამის აკადემიასთან დელიში გაიხსნა პირველი სახელმწ. თეატრ. სკოლა. 70-იან წლებში იგრძნობ[illegible] ევრ. თეატრ. კულტურის გავლენა. იქმნება ახ. პროფ. დასები. 1971 მარტო ბომბეიში 22 პროფ. კოლექტივი იყო. პოპულარულია ახ. თეატრი (დელი), „ტარუნ ოპერა" (კალკუტა), „დრამატიკ ვინტი" (ბომბეი) და სხვ.

თოჯინების თეატრი უძველეს დროიდან ჩამოყალიბდა და დღემდე არსებობს. თანამედროვე ი-ში პოპულარულია მარიონეტების, ჩრდილებისა და სხვა თეატრები.

XVII. კინო

ი-ში კინოწარმოება დაიწყო 1913 („რ[illegible] ჯა ჰარიშჩანდრა", რეჟ. დ. გ. ფალკე). 20-იან წლებში ი-ის კინემატოგრაფიის განვითარებას ხელს უშლიდა დას. ევ[illegible] და ამერ. კინო. ძირითადად გამოდიოდ[illegible] მითოლ. სიუჟეტებზე შექმნილი კომერ[illegible] და მელოდრამ. ფილმები. 1931 დაიდ[illegible] პირველი ხმოვანი ფილმი „ალამ არ[illegible] (რეჟ. ა. ირანი). 30-იან წლებში ეროვ[illegible] განმათ. მოძრაობის პერიოდში გამოვ[illegible] ფილმები: „დევდასი" (1935, რეჟ. პ. ბარუა), „არ ელოდებოდნენ" (1936), „[illegible] ზობლები" (1939, ორივე ფილმის რეჟ. შანტარამი) და სხვ. 1947 ინფორმაციი[illegible] და რადიომაუწყებლობის სამინისტრ[illegible]

თან ჩამოყალიბდა კინემატოგრაფიის განყ-ბა. ამ პერიოდში გამოსული ფილმები რეალისტურად ასახავდნენ ინდ. ხალხის ცხოვრებას — „მიწის შვილები“ (1946, რეჟ. ბ. ა. აბასი), „უსახლკარონი“ (1949, რეჟ. ნ. გჰოშ). 50-იან წლებში გამოსული ფილმებიდან აღსანიშნავია: „თანამგზავრი“ (1953, რეჟ. აბასი), „ორი გოჯი მიწა“ (1953, რეჟ. ბ. როი), „ავარა“ (1951, რეჟ. რ. კაპური). ამ ფილმებში თანამედროვეობის მწკავე სოც. პრობლემებია ასახული. ი-ის კინოპროდუქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუს. ფილმებს. 1960 პუნაში გაიხსნა კინემატოგრაფიის ინ-ტი. 1964 შეიქმნა ეროვნ. კინოარქივი (ქ. პუნა). ბომბეიში ყოველწლიურად (1954-იდან) ტარდება სრულიად ი-ის კინოფესტივალები. გამოჩენილი კინომსახიობები არიან: ბ. საჰნი, დ. ანანდი, დ. კუმარი, რ. კაპური, ნარგისი, შ. თაგორი, შ. კაპური და სხვ. 1971 ი-ში მუშაობდა 7 ათ. კინოთეატრი.

ლიტ.: **Гарга Б. Д., Гарги Б., Кино Индии, пер. с англ., М., 1956; Индийскому кино 55 лет. «Индия», 1970, № 1; Малик А., Индийское кино, იქვე, 1970, № 3.**

რუკა — იხ. ჩანართი, გვ. **176 — 177.** *ილუსტრაცია* — იხ. ჩანართი I—II, გვ. 81.

ინდოეთის ეროვნული კონგრესი (ინკ), ინდოეთის უმსხვილესი პოლიტიკური პარტია. შეიქმნა 1885 დეკ. ბომბეის დამფუძნებელ ყრილობაზე. გამოხატავდა ძირითადად მსხვილი ეროვნ. ბურჟუაზიის და ბურჟ.-მემამულური ინტელიგენციის ინტერესებს. 80 — 90-იან წლებში ინკ-ის სათავეში იყვნენ ეროვნ. მოძრაობის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები დ. ნაოროჯი, გ. კ. გოკალე, მ. გ. რანადე და სხვ. XX ს. დამდეგს ინკ-ის რიგებში წარმოიშვა ე. წ. უკიდურესების (ექსტრემისტების) წვრილბურჟ.-დემოკრ. მიმდინარეობა ბ. ტილაკის ხელმძღვანელობით. 1907 „ზომიერები“ და „უკიდურესები“ გაითიშნენ და ტილაკის მომხრეები კონგრესიდან გავიდნენ. 1918—1922 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობამ უშუალო გავლენა იქონია ინკ-ის საქმიანობაზე. იგი მძლავრ მასობრივ ორგანიზაციად იქცა. კონგრესის ბელადი და იდეოლოგი გახდა მ. *განდი*. კონგრესი სათავეში ჩაუდგა განდის ინიციატივით ინგლ. ხელისუფალთა წინააღმდეგ გაჩაღებულ „სამოქალაქო ურჩობის“ კამპანიას (სატიაგრაჰა), რ-შიც აქტ. მონაწილეობა მიიღეს მოსახლ. ფართო ფენებმა. ინკ-ის წესდებამ (მიიღეს 1920) პარტიის მიზნად გამოაცხადა „*სვარაჯის* მიღწევა მშვიდობიანი და კანონიერი საშუალებებით“. კამპანიის შეწყვეტამ (1922) მასებს გული გაუტეხა და დასცა კონგრესის გავლენა.

1928—33 კონგრესის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდა მემარცხენე ფრთის ლიდერი ჯ. ნერუ, რ-ის უშუალო ხელმძღვანელობით ინკ-მა წამოაყენა ინდ. სრული დამოუკიდებლობის ლოზუნგი. 1931 მიიღეს ბურჟ.-დემოკრ. რეფორმების პროგრამა. II მსოფლიო ომის წლებში ინკ-მა დაგმო ფაშიზმი, თანაც მოითხოვა ინდოეთის ეროვნ. მთავრობის შექმნა. კონგრესის ამ მოთხოვნას კოლონ. ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა და ინკ-ის ლიდერები ციხეში ჩასვა. ომის დამთავრებისთანავე კონგრესმა მოითხოვა ინდოეთისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მიცემა. ინდ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე (1947) ინკ მმართველი პარტია გახდა (1977-მდე) ჯ. ნერუს მეთაურობით. 1948 კონგრესი შეუდგა პროგრ. რეფორმების გატარებას (აგრ., ადმინისტრაციული და სხვ.), მაგრამ დროდადრო ადგილი ჰქონდა გაუმართლებელ რეპრესიებს მუშათა მოძრაობისა და კომპარტიის მიმართ, რამაც შეასუსტა ინკ-ის გავლენა მასებზე. 1955 მან მიიღო „სოციალისტური ტიპის საზოგადოების“ აგების პროგრამა, რ-შიც ბევრი ბუნდოვანი მუხლი იყო.

ჯ. ნერუს გარდაცვალების შემდეგ (1964) ინკ-ის რიგებში თავი იჩინა სერიოზულმა წინააღმდეგობამ. 1969 პარტიაში მოხდა განხეთქილება, მემარჯვენენი ინკ-იდან გავიდნენ და დააარსეს დამოუკიდებელი პარტია „კონგრესის ორგანიზაცია“. იგი რეაქციის ბანაკს შეუერთდა.

1971 ინკ-მა გამარჯვება მოიპოვა პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში. კონგრესმა ი. განდის ინიციატივით შეიმუშავა რადიკალური სოც.-ეკონ. გარდაქმნების პროგრამა და წარმატებით მიჰყო ხელი მის განხორციელებას. 1975 წ. 29 დეკ-იდან 1976 წ. 1 იანვრ-მდე ჩატარდა ინკ-ის 75-ე ყრილობა, რ-მაც პარტიის საქმიანობის მთავარ ამოცანად წამოაყენა „20 პუნქტის“ პროგრამის განხორციელება, აგრეთვე მიზანშეწონილად ცნო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება და 1 წლით გადადო საყოველთაო არჩევნები, რ-იც 1976 გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო. 1977 მარტში პარლამენტის არჩევნებში ინკ დამარცხდა და ოპოზიციაში გადავიდა. 1978 დამდეგს ინკ-ს გამოეყო ჯ. ნერუს დ. არეულის მეთაურობით. 1980 წ. 3—6 იანვ. ინდ. პარლამენტის სახ. პალატის რიგგარეშე არჩევნებში ინკ-მა გაიმარჯვა, მიიღო 351 ადგილი (544-იდან). ინკ-ის თავ-რეა ი. განდი, *ვ. დონაძე.*

ინდოეთის კომუნისტური პარტია (ინკ; Communist Party of India), შეიქმნა 1925 წ. 26 დეკ. ცალკეული კომუნისტური ჯგუფების გაერთიანების შედეგად. 1942-მდე არალეგალურად მუშაობდა. 1943 მაისში ჩატარდა მისი პირველი ყრილობა, რ-მაც დასახა შემდგომი მუშაობის პოლიტ. ხაზი და აირჩია ხელმძღვ. ორგანოები. ინდ. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ინკ მშრომელთა საარსებო ინტერესების თანამიმდევრულ დაცვას ორგანულად უხამებდა სამშობლოს კოლონ. დამონების წინააღმდეგ აქტ. ბრძოლას, რამაც მას მოსახლ. ფართო ფენების მასობრივი მხარდაჭერა მოუპოვა.

ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების (1947) შემდეგ ინკ-მ 1951 თავის სრულიად ინდ. კონფერენციაზე მიიღო პარტიის პროგრამა, რ-შიც აღნიშნული იყო, რომ, თუმცა ინკ-ის მიზანია ქვეყანაში სოციალ. საზ-ბის აშენება, მაგრამ მოცემულ ეტაპზე პარტია მთავარ ამოცანად თვლის კოლონიალიზმისა და ფეოდალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრისათვის ბრძოლას, გადაუდებელი სოც.-ეკონ. გარდაქმნების განხორციელებას. 1951 ინკ-ის გენ. მდივნად აირჩიეს ა. კ. *გჰოში*. 1951—52 საყოველთაო არჩევნებში ინკ-მ 6 მილიონზე მეტი ხმა შეაგროვა და 27 ადგილი მიიღო პარლამენტის ქვედა პალატაში, 180-ზე მეტი — შტატების საკანონმდებლო კრებებში.

1956 ინკ-ის IV ყრილობამ უახლოესი პერიოდის ძირითად ამოცანად დასახა ერთიანი ეროვნ. ფრონტის შექმნა. მან მასებს მოუწოდა ებრძოლათ ანტიიმპერიალ. და ანტიფეოდ. რევოლუციის ბოლომდე მისაყვანად, ქვეყნის ეკონ. და სოც. პროგრესისათვის. 1957 ზორიგ საყოველთაო არჩევნებში ინკ-მ ახ. წარმატებები მოიპოვა — მიიღო 11 მილიონზე მეტი ხმა და 29 ადგილი პარლამენტის ქვედა პალატაში. კერალის შტატის საკანონმდებლო კრებაში მან ადგილების უმეტესობა მიიღო და სათავეში ჩაუდგა შტატის მთავრობას (დამოუკიდებლებთან ერთად). 1959 ივლ. ინდ. პრეზიდენტის ბრძანებით ეს მთავრობა დაითხოვეს.

ინკ-ის V ყრილობამ (1958) მიიღო გადაწყვეტილება პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის შესახებ. ცკ-ის ნაცვლად შეიქმნა ეროვნ. საბჭო, პოლიტბიუროს ნაცვლად — ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი (ცაკი). 1962 აპრ. ინკ-ის ეროვნ. საბჭოს პლენუმზე შეიცვალა პარტიის წესდება, გენ. მდივნის პოსტთან ერთად დაწესდა პარტიის თავ-რის პოსტი. 1964 ნოემბ. ინკ-ში მოხდა განხეთქილება. ხელმძღვანელ მოღვაწეთა ჯგუფი გამოვიდა ინკ-იდან და შექმნა პარალელური კომპარტია — „ინდოეთის კომპარტია (მარქსისტული)“. 1964 დეკ. ინკ-ის VII ყრილობამ მიიღო პარტიის ახ. პროგრამა და სხვ. სახელმძღვანელო დოკუმენტები. პროგრამაში მოცემულია ინდ. რესპ. სოც.-ეკონ. განვითარებისა და თანამედროვე ვითარების ყოველმხრივი ანალიზი, ეროვნ.-დემოკრ. ფრონტისა და ეროვნ.-დემოკრ. სახელმწიფოს შექმნის, როგორც სოციალიზმში გარდამავალი სტადიის ამოცანები. 1970 კერალის შტატის საკანონმდებლო კრების არჩევნებში ინკ-მ კიდევ უფრო მეტი ხმა მიიღო. ამის შედეგად შტატში შეიქმნა მემარცხენე კოალიციური მთავრობა ინკ-ის ეროვნ. საბჭოს ცაკის წევრის ა. მენონის ხელმძღვანელობით. მან მშრომელთა სასარგებლოდ ბევრი ეფექტური სოც.-ეკონ. და კულტ. ღონისძიება (აგრ. რეფორმა და სხვ.) გაატარა. პარალელური ინკ-ის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ უშლიდა ხელს ამ მთავრობის საქმიანობას და ხშირად მემარჯვენე ძალებთან ერთად მოქმედებდა. 1971 საყოველთაო არჩევნებში ინკ-მ დაახლ. 5 მლნ. ხმა შეაგროვა და 19 დეპუტატი გაიყვანა პარლამენტის ქვედა პალატაში. 1975 წ. 27 იანვ.—2 თებ. შედგა ინკ-ის X ყრილობა, რ-მაც დაამტკიცა მოქმედების პროგრამა, მიმართული მემარცხენე და დემოკრ. ძალების ერთიანობის განსამტკიცებლად. ინკ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, 1969, მოსკოვი). ინკ აერთიანებს 546,7 ათ. წევრს (1977). წესდების შესაბამისად, იგი აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე. მისი უმაღლესი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის — ეროვნ. საბჭო. მიმდინარე სამუშაოებს ასრულებს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი და ცენტრ. სამდივნო. ინკ-ის ეროვნ. საბჭოს თავ-რეა შ. ა. დანგე, გენ. მდივანი — ჩ. რ. რაო, ცენტრ. ორგანო გაზ. „ნიუ ეიჯი“ („New Age“).

ლიტ.: **Гуош А., Статьи и речи, пер. с англ., М., 1962; Проблемы коммунистического движения в Индии, М., 1971; Resolutions of the National Council of the Communist Party of India, New Delhi, 1970.**
ვ. დონაძე.

ინდოეთის ოკეანე, სიდიდით მესამე ოკეანე დედამიწაზე (წყნარი და ატლანტის ოკეანეების შემდეგ). მდებარეობს აზიას (ჩრდ.), აფრიკას (დას.), ავსტრალიასა (აღმ.) და ანტარქტიდას (სამხრ.) შორის. სამხრ.-დას-ით უკავშირდება ატლანტის ოკეანეს, აღმ. და სამხრ.-აღმ-ით — წყნარ ოკეანეს. ფართ. ზღვებთან ერთად 74917 ათ. *კმ*², საშ. სიღრმე 3897 *მ*, წყლის მოცულობა 291945 ათ. *კმ*³.

ი. ო-ის ზღვებია: წითელი, ანდამანის, არაბეთის, არაფურისა და ტიმორის. დიდი კ-ები — მადაგასკარი, შრი-ლანკა, სოკოტრა — კონტინენტური წარმოშობისაა. ვულკ. კ-ებია მასკარენის, კროზეს, პრინს-ედუარდისა და სხვ. მარჯნის კ-ებია მალდივის, ლაკადივის, ჩაგოსის და სხვ. სანაპირო ხაზი სუსტადაა დანაწევრებული.

ი. ო-ის ნაპირებს გასდევს ვიწრო (100 *კმ*-მდე სიგანის) კონტინენტური თავთხელი, რ-ის გარეთა კიდის სიღრმე 50—200 *მ*-ია და მხოლოდ ანტარქტიდასთან და ჩრდ.-დას. ავსტრალიასთან აღწევს 300—500 *მ*. კონტინენტური თავთხელი ზოგან დანაწევრებულია წყალქვეშა ხეობებით. ოკეანის ჩრდ.-აღმ. ნაწილში ზონდის კ-ებს ეკვრის ზონდის ღარი, სადაც ოკეანის მაქს.

ნ. ბოსი. „იუმას სევდა“. ტემპერა. 1921.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ყრილობები

I—მაისი 1943, ბომბეი
II—თებ., მარტი 1948, კალკუტა
III — 27 დეკ. 1953 — 4 იანვ. 1954, მადურაი
IV—19—29 აპრ. 1956, პალგჰატი
V—აპრ. 1958, ამრიტსარი
VI—აპრ. 1961, ვაჯაიავადა
VII—13 — 23 დეკ. 1964, ბომბეი
VIII—თებ. 1968, პატნა
IX — ოქტ. 1971, კოზიკოდი
X—27 იან.—2 თებ. 1975, ვიჯაიავადა

სიღრმე 7130 *მ* აღწევს. ი. ო-ის ფსკერზე მრავალი ქვაბული და წყალქვეშა ქედია.

ფსკერული ნალექების სისქე კონტინენტური ფერდობის ძირას 3—4 *კმ*-ია, შუა ოკეანეში — დაახლ. 100 *მ*.

კონტინენტურ თაროზელზე არის ნავთობისა და აირის საბადოები (სპარს. ყურეში), რიფტულ ზონებში — ქრომის, რკინის, მანგანუმისა და სპილენძის მადნები; ოკეანის ფსკერზე აღმოჩენილია რკინა-მანგანუმის კონკრეციების ბუდობები.

ჰ ა ვ ა ოკეანის ჩრდ. ნაწილში მუსონურია. ს. გ. 8—10°-ის სამხრ-ით, ტროპ. განედებში (ზაფხულობით სუბტროპიკულშიც) გაბატონებულია პასატური ქარები, ზომიერ განედებში — დას-იდან აღმ-კენ მოძრავი ტროპიკსგარე ციკლონები. ი. ო-ის დას. ნაწილში, ტროპ. განედებში, ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის ქარიშხალი. ოკეანის ჩრდ. ნაწილში პაერის საშ. ტემპ-რა ზაფხულობით 25—27°C, სამხრ. ნაწილში, ს. გ. 30°-ზე, 20—25°C-მდე, ს. გ. 50°-ზე 5—6°C-მდე, ხოლო ს. გ. 60°-ის სამხრ-ით 0°C-ზე დაბლა ეცემა. ამავე განედებზე შესაბამისი ზამთრის ტემპ-რებია: 20—27,5°C; 15°C-მდე; 0—5°C და 0°C-ზე დაბალი. სამხრ. სუბტროპ. განედებში მადაგასკარის თბილი დინების გავლენით მთელი წლის მანძილზე ტემპ-რა 3—6 გრადუსით უფრო მაღალია, ვიდრე აღმ-ით, სადაც გადის დას. ავსტრალიის ცივი დინება. ნალექები არაბეთის ზღვის აღმ. ნაწილსა და ბენგალის ყურეში 3000 *მმ*-ზე მეტია წელიწადში. ეკვატორთან —2000—3000 *მმ*, არაბეთის ზღვის დას. ნაწილში — 100 *მმ*-მდე, სამხრ. ნაწილის სუბტროპიკებში — 500 *მმ*, ზომიერ განედებში — 1000 *მმ*, ხოლო ანტარქტიდასთან 250 *მმ* არ აღემატება.



ინდოლი.

ჰ ი დ რ ო ლ ო გ ი უ რ ი რ ე ჟ ი მ ი. ი. ო-ის ჩრდ. ნაწილში ზედაპირული წყლის ცირკულაცია მუსონური ხასიათისაა: ზაფხულობით გაბატონებულია ჩრდ.-აღმ. და აღმ. დინებები, ზამთრობით — სამხრ.-დას. და დას. დინებები. ოკეანის სამხრ. ნაწილში წყლის ცირკულაცია წარმოქმნის ანტიციკლონურ წრიულ დინებას. უკიდურეს სამხრ. ნაწილში ჩნდება რამდენიმე სუსტი ციკლონური დინება.

ჩრდ. ნახევარსფეროს ზაფხულში ოკეანის ჩრდ. ნაწილში ზედაპირზე წყლის ტემპ-რა 27—28°C, აფრიკის სანაპიროებთან 22—23°C-მდე მცირდება, ეკვატორთან 26—28°C აღწევს, ს. გ. 50°-ზე 3—5°C-მდე ეცემა და ს. გ. 55°-ის სამხრ-ით —1°C-ზე დაბალია. ჩრდ. ნახევარსფეროს ზამთარში ოკეანის ჩრდ. ნაწილში წყლის ტემპ-რა ზედაპირზე 23—25°C, ეკვატორზე 28°C, ს. გ. 50°-ზე 5—9°C, ხოლო ს. გ. 60°C სამხრ-ით უარყოფითი ტემპ-რებია.

ყველაზე მაღალი მარილიანობა აღინიშნება წითელ ზღვაში — 41‰, სპარს. ყურეში — 37—39‰, არაბეთის ზღვაში — 36,5‰, ოკეანის სამხრ. ნაწილში 33‰-მდე ეცემა.

ი. ო-ში მოქცევები სუსტადაა გამოხატული. გაშლილი ოკეანის ნაპირებსა და კ-ებზე მისი სიმაღლეა 0,5—1,6 *მ*, ზოგიერთ ყურეში — 5—7 *მ*, კამბეის ყურეში 11,9 *მ* აღწევს. ყინულით მხოლოდ ი. ო-ის უკიდურესი სამხრ. ნაწილი იფარება.

მ ც ე ნ ა ტ ე უ ლ ო ბ ა და ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ა მ ყ ა რ ო. ტროპ. სარტყლის წყალმარჩხ რ-ნებში დიდი რაოდენობითაა ნ- და ფ-სხივიანი მარჯნები და ჰიდრომარჯნები. ისინი წითელ კიროვან წყალმცენარეებთან ერთად წარმოქმნიან კუნძულებსა და ატოლებს, სადაც ბინადრობენ მრავალი სახის უხერხემლოები (მოლუსკები, ზღვის ვარსკვლავები, ზღვის ზღარბები და სხვ.), უხვად არის მარჯნის რიფების ფერადი თევზები. სანაპიროს დიდი ნაწილი შემოსილია მანგროვიანი რავებით. ზომიერ სარტყელში სანაპიროებზე იზრდება წითელი და მურა წყალმცენარეები. გაშლილი ოკეანის წყლის ზედა ფენისათვის დამახასიათებელია ერთუჯრედიანი პლანქტონური წყალმცენარეების სიუხვე. ოკეანის ცხოველთა ძირითადი მასაა კიბოსნაირები (100 სახეობაზე მეტი), ფრთაფეხა მოლუსკები, მედუზები და სხვ. თევზებიდან გავხვდება მფრინავი თევზების რამდენიმე სახეობა, მანათობელი სარდალა-თევზი, სკუმბრია, თინუსი, ზვიგენები, შხამიანი ზღვის გველები და სხვ. ბევრია ზღვის კუ, ბუბუმწოვრებიდან — ვეშაპი, ფეხფარფლიანები და სხვ. ფრინველებიდან გავრცელებულია ალბატროსი და პინგვინის ზოგიერთი სახეობა.

კ ვ ლ ე ვ ი ს ი ს ტ ო რ ი ა ი. ო-ისა შეიძლება 3 პერიოდად დაიყოს: I პერიოდად ითვლება ძვ. ინდოელ, ეგვიპტელ და ფინიკიელ მეზღვაურთა ნაოსნობა სანაპირო ზოლში, II პერიოდის დასაწყისად ჯეიმზ კუკის მოგზაურობას მიიჩნევენ (1772—75), III პერიოდი გასული საუკუნის ბოლოდან დღემდე გრძელდება. საბჭ. მკვლევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ი. ო-ის ექსპედიციაში, რ-იც 1960—65 იუნესკოს თაოსნობით მოეწყო. ექსპედიციამ მოიპოვა მრავალი საინტერესო ჰიდროლ., გეოლ., გეოფიზ., მეტეოროლ. და ბიოლ. მასალა ი. ო-ის შესახებ.

ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი და პ ო ლ ი ტ ი კ უ რ-გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა. XVI—XVII სს-ში დაიწყო ი. ო-ის ფართო კოლონიზაცია. XIX ს-იდან სანაპიროებისა და კ-თა უმეტეს ნაწილს დაეპატრონა ინგლისი. II მსოფლიო ომის შემდეგ ი. ო-ის აუზში შეიქმნა ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფო: ინდოეთი, ბანგლადეში, ბირმა, კატარი, იემენის სდრ, ქუვეითი, მალდივის რესპ., შრი-ლანკა, ბაჰრეინი, პაკისტანი, ეგვიპტე, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ინდონეზია, კენია, მალაიზია, მავრიკი, მალაგასის რესპ., სომალის რესპ., ტანზანია, სუდანი.

ი. ო-ის ტვირთბრუნვა მსოფლიოს საზღვაო ტვირთბრუნვის მხოლოდ 10% შეადგენს. ზემოხსენებული ქვეყნების ექსპორტის ძირითადი ტვირთია ნედლეული და საკვები, იმპორტში ჭარბობს სამრეწვ. საქონელი. გასატანი ნედლეულის უდიდესი ნაწილი მოდის ნავთობპროდუქტებზე (სპარს. ყურიდან). ინდოეთიდან გააქვთ მანგანუმისა და რკინის მადანი, ბირმიდან— ვოლფრამი, ბამბა, ზამბიიდან — სპილენძი და კობალტი; მალაიზიიდან — კაუჩუკი; ინდონეზიიდან — სურნელოვანი სანელებლები. ექსპორტ-იმპორტის ძირითადი სატრანსპ. საშუალებაა დაქირავებული გემები.

II მსოფლიო ომის შემდეგ სპარს. ყურეში აშენდა რამდენიმე დიდი ნავსადგური ზეტანკერებისათვის: მენა-ელ-აჰმადი (ქუვეითი), ხარქი (ირანი), რას-ტანურა (საუდის არაბეთი), ხორ-ელ-ამაია (ერაყი).

თ ე ვ ზ ჭ ე რ ა და ს ა ზ ღ ვ ა ო რ ე წ ვ ა. თევზჭერა ი. ო-ში არ აღემატება მსოფლიო თევზჭერის 5%. თევზის რეწვა ძირითადად სანაპიროებთან წარმოებს. ეკვატორის მახლობლად იჭერენ თინუსს, ანტარქტიდის სანაპიროებთან — ვეშაპს, კ. შრი-ლანკაზე, ბაჰრეინის კ-ების მიდამოებსა და ავსტრალ. ჩრდ.-დას. სანაპიროებთან მარგალიტის მოპოვება.

ლიტ.: Атлас океанов. [6. м.], 1977; Океанографическая энциклопедия, Л., 1974.
რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 145.

ინდოეთის სახალხო აჯანყება 1857—59, სახალხო განმათავისუფლებელი აჯანყება ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. ხშირად სიფაჰებს აჯანყებასაც უწოდებენ (რადგან მის სამხ. ბირთვს სიფაჰები შეადგენდნენ). ი. ს. ა-ის ცენტრი იყო პენჯაბსა და ბენგალს შორის მდებარე ვრცელი ტერიტორია. აჯანყება დაიწყო ბენგალის არმიაში. აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას ხალხის მასა, ძირითადად მეთემე გლეხები, წარმოადგენდნენ. ხელმძღვანელები იყვნენ ფეოდალები.

აჯანყების მიზეზი იყო ქვეყნის კოლონ. დამონება. 1857 წ. 10 მაისს სიფაჰების სამი აჯანყებული პოლკი ქ. მერათიდან დელიში ჩავიდა, მათ შეუერთდნენ აქ დაბანაკებული სიფაჰების ნაწილები და ქალაქის მოსახლეობა. აჯანყებულებმა აღადგინეს დიდ მოგოლთა დინასტიის ხელისუფლება, ტახტზე აიყვანეს ბაადურ-შაჰ II და მისი სახელით მოუწოდეს ხალხს ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან მათ დელიში შექმნეს ხელისუფლების თავიანთი ორგანო — უმაღლესი ადმ. საბჭო, რ-ის წევრი ბაჰთ-ხანი სათავეში ჩაუდგა დელის ჯარებს. აჯანყებამ მასობრივი ხასიათი მიიღო განგის შუა წელზე — აუდში (კანპური, ლაქნაუ), სადაც მას ფეოდალი *ნანა საჰიბი* მეთაურობდა.

აჯანყების ხელმძღვანელთა თავდაცვითმა ტაქტიკამ ინგლ. კოლონიზატორებს შესაძლებლობა მისცა დრო მოეგოთ, შეექმნათ წინააღმდეგობის ძლიერი კერები და გადასულიყვნენ კონტრშეტევაზე. ინგლისელებმა ერთდროულად დაიწყეს მოქმედება აუდისა და დელის რ-ნში, მაგრამ ძირითადი იერიში მაინც დელიზე მიიტანეს. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ 1857 წ. 19 სექტ. მათ აიღეს დელი და ომის ასპარეზმა განგის აუზისაკენ გადაინაცვლა. 1858 დამლეგისათვის აჯანყებულთა ორგანიზებული წინააღმდეგობა აქაც შეწყდა. აჯანყებულების ბრძოლამ პარტიზ. ომის ხასიათი მიიღო. 1859 აპრ-თვის ინგლისელებმა შეძლეს პარტიზანების განადგურებაც. ი. ს. ა-ის მარცხით დამთავრება განაპირობა ინდ. ხალხის რელიგ., ტომობრივმა, კასტურმა გათიშულობამ, კოლონიზატორთა ჯარის დიდმა რიცხობრივმა და ტექ. უპირატესობამ. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ინგლ. დედოფალ ვიქტორიას მანიფესტმა (1858 წ. 1 ნოემბ.), რ-იც ინდ. მთავრებსა და ფეოდალებს ინგლისელთა მხარეზე გადასვლის შემთხვევაში აღუთქვამდა სრულ პატიებასა და უფლებებისა და მამულების ხელშეუხებლობას. აჯანყებამ, დამარცხების მიუხედავად, დიდი გავლენა იქონია ინდ. მომავალ ხვედრზე. მისი შედეგი იყო ინგლ. კოლონ. პოლიტიკის შეცვლა: ოსტინდიური კომპანიის ლიკვიდაცია (1858 აგვ.) და ინდოეთის გადაქცევა ინგლ. სამეფო კოლონიად. *ვ. დონაძე.*

ინდოელები, ინდოეთის მთელი მოსახლეობის (აგრეთვე ინდოეთიდან სხვა ქვეყნებში გადასახლებულთა) საერთო სახელწოდება. ზოგჯერ ინდოეთის მოსახლეობის სახელწოდებად (განსაკუთრებით რუსულში) იხმარება ინგლისურიდან ნასესხები ტერმინი „ინდუსები", რ-იც *ინდუიზმის* მიმდევრებს გულისხმობს; მისი გავრცელება ინდ. მთელ მოსახლეობაზე უმართებულოა, მით უმეტეს, რომ ი-ის გარკვეული ნაწილი სხვა რელიგიებს მისდევს (ისლამი, ბუდიზმი და სხვ.). იხ. სტ. *ინდოეთი.*

ინდოელი (ლათ. Indus), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი.* უბრწყინვალესი ვარსკვლავი 3,1 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა.* ნაწილობრივ ჩანს შემოდგომაზე სსრკ უკიდურესი სამხრ. რ-ნებიდან.

ინდოლი (2,3-ბენზოპიროლი), C_8H_7N, უფერული, არასასიამოვნო სუნის კრისტალები. $t_{დნ}$ 52°C, $t_{დუღ}$ 254°C; იხსნება ცხელ წყალსა და ორგ. გამხსნელებში; ი-ს შეიცავს ქვანახშირის ფისი (რ-იდანაც ტუტე ლითონების მარილების სახით გამოყოფენ) და აგრეთვე ზოგიერთი ეთერზეთი; ი. აღმოაჩინეს სკატოლთან (3-მეთილინდოლთან) ერთად ადამიანისა და ძუძუმწოვრების ნაწლავებში. ი-ს იყენებენ საპარფიუმერიო მრეწველობაში ზოგიერთი ესენციის სუნის გასაძლიერებლად.

ინდოლოგია, ინდიანისტიკა, დისციპლინათა კომპლექსი, რ-იც შეისწავლის ინდოსტანის ხალხების კულტურულ, მემკვიდრეობას, ენებს, იდეოლოგიურ შეხედულებებს, ლიტ-რასა და ხელოვნებას,

ინდოეთის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიას. ჩამოყალიბდა ევროპაში XIX ს-ში, თუმცა ინდოეთისადმი ინტერესს ჯერ კიდევ ანტ. ხანაში იჩენდნენ. შუა საუკუნეებში ინდოეთის აღწერას ვხვდებით ჩინ. პილიგრიმებთან და არაბულენოვან წყაროებში, უფრო გვიან — ევრ. მოგზაურების ცნობებში.

ევროპელთა მიერ ინდ. კოლონიზაციის დაწყებასთან ერთად იზრდება ინდოეთისადმი ქრისტიანი მისიონერებისა და ვაჭრების ინტერესი. ისინი სწავლობდნენ ადგილ. ზნე-ჩვეულებებსა და ენებს. ი-ის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო XVIII ს. ბოლოს ინგლ. მოხელეების მიერ სანსკრ. ძეგლების შესწავლამ და ევროპისათვის ინდ. ლიტ-რის ნიმუშების გაცნობამ. სანსკრიტთან ერთად შეისწავლებოდა პალი და *პრაკრიტებიც*. გამოკვლევების ძირითადი ობიექტი პირველ რიგში „რიგვედა" და მასთან დაკავშირებული ლიტ-რა იყო.

XIX ს. ინდოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები შეჯამდა სტრასბურგში გამოცემულ „ინდოარიული გამოკვლევების ენციკლოპედიაში" (1896—1915). შეიქმნა ან. ინდოარიული ენების შედარებითი და ისტ. გრამატიკები, დაიწყო დრავიდული ენებისა და ლიტ-რის შესწავლა, ქრონიკების, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური, ეთნოგრ. მასალის შეკრება და შესწავლა, შედგა გეოგრ. ცნობარები მთელი ქვეყნისა და ცალკე რ-ნებისათვის.

პირველი რუსი ინდოლოგი იყო — *გ. ლებედევი*. XIX ს. შუა წლებიდან სანსკრიტის შესწავლა იწყება რუს. მეცნ. აკადემიასა და მთელ რიგ უნ-ტებში. ი. *მინაევმა* და ვ. ვასილიევმა შექმნეს რუს. ბუდოლოგიური სკოლა და ჩამოაყალიბეს სერია ჩრდილოეთის ბუდიზმის ტექსტების გამოსაცემად „Bibliotheca Buddhica" (1897).

XX ს-იდან ი-ის სფეროში შევიდა სოც.-პოლიტ. და ეკონ. პრობლემები, კვლევის ცენტრმა თვით ინდოეთში გადაინაცვლა. სსრკ-ში სანსკრიტოლოგიასა და ბუდოლოგიასთან ერთად ფართოდ ვითარდება ინდოეთის ფილოლ., სოც.-პოლიტ. და ეკონ. ასპექტით შემსწავლელი მეცნიერებები. სამამულო ომის შემდეგ განვითარდა დრავიდოლოგია. გამოვიდა ინდ. 4-ტომიანი ისტორია, ძირითადი ენების ლექსიკონები და გრამატიკები, ნარკვევები ლიტ-რის შესახებ. მასობრივი ტირაჟით გამოდის კლასიკური და თანამედროვე ლიტ-რის თარგმანები. უკანასკნელ წლებში დამოუკიდებელ სფეროდ გამოიყო პაკისტანოლოგია.

ინდურ-ქართული ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ ლინგვისტური, ლიტ. და კულტ.-ისტ. თვალსაზრისით. შუა საუკუნეებში საქართველოსა და ინდოეთს მჭიდრო ეკონ. და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ. ინფორმაცია ინდოეთის შესახებ საქართველოში მოჰქონდათ ვაჭრებს, აგრეთვე ქართვ. მეფეებსა და მხედართმთავრებს, რ-ებიც ბონაწილეობდნენ ირანის შაჰებისა თუ მონღოლთა ლაშქრობებში ინდოეთის წინააღმდეგ (ჯუანშერის ცნობა ვახტანგ გორგასლის ინდოეთში მოლვაწეობის შესახებ, ერეკლეს ლაშქრობა ნადირ-შაჰთან ერთად ინდოეთში, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა და სხვ.). ინდ. ენების, კერძოდ, სანსკრიტის შესწავლა თბილ. უნ-ტის დაარსებიდანვე დაიწყო პროფ. გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. 1920 გამოქვეყნდა სანსკრიტის პირველი ქართ. სახელმძღვანელო გ. ახვლედიანისა. მანვე თარგმნა ქართულად „რიგვედის" ჰიმნების ნიმუშები. ამჟამად საქართველოში ინდოლოგიური მუშაობა მიმდინარეობს თბილ. უნ-ტსა და საქსსრ მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში. ქართ. ინდოლოგლინგვისტები იკვლევენ ძვ. ინდური ენის გრამატ. სტრუქტურას, ინდოირანული ენების შედარებითი გრამატიკისა და ტიპოლოგიის საკითხებს, აგრეთვე ინდოირანული ენების ურთიერთმიმართებასა და ქართულთან მათი ენობრივი კონტაქტების საკითხებს (თ. ჭავჭავაძე, გ. ნახუცრიშვილი, ე. ალექსიძე, მ. მოდებაძე, მ. ანდრონიკაშვილი). ქართ. ენაზე ითარგმნება „რიგვედა", ეპიკური პოემები „მაჰაბჰარატა" და „რამაიანა", კალიდასას დრამები, თაგორი, თანამედროვე ინდოელი მწერლების ნაწარმოებები ჰინდი და ურდუ ენიდან.

ლიტ.: ახვლედიანი გ., სანსკრიტი, ტფ., 1920; Баранников А. П., Советская индология, «Известия АН СССР. Отд. литературы и языка», 1948, т. 7, в. 1; Библиография Индии, М., 1965; Indian studies abroad, Delhi, 1964; Oriental studies in India, ed. by R. N. Dandekar, V. Raghavan, New Delhi, 1964.

მ. ანდრონიკაშვილი.

ინდოჰალაის ოლქი, აღმოსავლეთის ოლქი, ხმელეთის ზოოგეოგრაფიული ოლქი, რ-იც მოიცავს ინდოეთს, ინდოჩინეთს, მალაკის ნ.-კ-ს, მალაის არქიპელაგს, კ-ებს შრი-ლანკას, ბალის, სულავესის, ფილიპინებს, ჰაინანს, ტაივანს, რიუკიუს და ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების სხვა კ-ებს. ოლქის უმეტესი ნაწილი უკავია ტროპ. ტყეს. ჩრდ-ში მთებია, ჩრდ.-დას. ნაწილში — უდაბნო; დეკანის ზეგანზე სავანის ტიპის ლანდშაფტია. ი. ო-ში ბუმბუმწოვრებიდან ენდემურია 4 ოჯახი: ტუპაიასებრნი, ფრთამატყლიანისებრნი (დამოუკიდებელ რიგს ქმნიან), გრძელტერფასებრნი და გიბონისებრნი. მწერიჭამიებიდან გვხვდება გიმნურა, ხელფრთიანებიდან — მფრინავი ძაღლი, მტაცებლებიდან — ვეფხვი, ჯიქი, შავი პანთერა, წავისებრი კატა, ავაზა და სხვ. ბევრგან გვხვდება ინდური სპილო. ჩლიქოსნებიდან საყურადღებოა ნილგაუ, ოთხრქება ანტილოპა, ბანტენგი, ინდური კამეჩი, ანოა, ტაპირი, ირმულა, ბაბირუსა, მარტორქა; გვხვდება პანგოლინი, ნახევრად მაიმუნებიდან — წვრილი ლორი, ხოლო პრიმატებიდან — რეზუსი, ქოჩორა პავიანი, ორანგუტანი. განგში ბინადრობს მდინარის დელფინი. ფრინველთაგან ენდემურია ქოჩორა ნამგალასებრთა ოჯახი. რქანისკარტასებრთა ოჯახის სახეობათა უმეტესობა ამ ოლქშია გავრცელებული. ბევრია პიტები, ქათმისებრნი (ბანკიური ქათამი, ფარშავანგი, არგუსი და სხვ.); ქვეწარმავლებიდან— გეკონი, ჯოჯო, კომოდოური ვარანი (მისი სიგრძე 7 *მ*-მდე აღწევს), პითონი, კობრა, გავიალი, დიდთავა კუ და სხვ. ამფიბიებიდან — ცეცილონური თევზგველა, მფრინავი ბაყაყი და სხვ. თევზებიდან — ანაბასი, ლაბირინთიანი თევზები (გურამი, ლალიესი, ბადისი და სხვ.). მრავლად გვხვდება უხერხემლო ცხოველები, მ. შ. ობობა-ფრინველჭამია, კალიმა და სხვ. ი. ო. იყოფა 4 ქვეოლქად: ინდოეთის, ბირმა-ჩინეთის, მალაისა და სულავესის (ზოგი მეცნიერი ამ უკანასკნელს უმართებულოდ აერთიანებს ავსტრალ. ოლქში).

ლიტ.: ჯანაშვილი ა., ზოოგეოგრაფია, გამოც. მე-3, თბ., 1974; Гептнер В. Г., Общая зоогеография, М.—Л., 1936.

ა. ჯანაშვილი.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 33.

ინდონეზია (Indonesia), ინდონეზიის რესპუბლიკა (Republik Indonesia).

I. ზოგადი ცნობები

ი. — სახელმწიფო სამხრ.-აღმ. აზიაში, მალაის (ინდონეზიის) არქიპელაგის კუნძულებზე. მოიცავს *დიდი ზონდის კუნძულებს* (კალიმანტანი, სუმატრა, სულავესი, იავა და მადურა), *მცირე ზონდის კუნძულებს, მოლუკის კუნძულებს*. ი-ის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კ. ახალი გვინეის დას. ნაწილი (ირიან-ჯაია) და მისი მიმდებარე მცირე კუნძულები. ფართ. 1904,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 141,5 მლნ. კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი — ჯაკარტა. სახელმწ. ენა — ინდონეზიური. ეროვნ. დღესასწაულია 17 აგვ. — დამოუკიდებლობის დღე (1945). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული, იყენებენ აგრეთვე მუსლიმანურს — ჰიჯრას. ფულია ერთეულია ინდონეზ. რუპია. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით (1980 თებ.) 1000 რუპია = 1,03 მანეთს.

ადმინისტრაციულად ი. იყოფა 26 პროვინციად (აღმ. ტიმორი ოკუპირებულია და 1976 წ. 17 ივლ-იდან ი-ის შემადგენლობაში როგორც მისი 27-ე პროვინცია).

II. სახელმწიფო წესწყობილება

ი. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1945 კონსტიტუცია. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სახალხო კონსულტაციური კონგრესი, რ-იც ამტკიცებს და ცვლის კონსტიტუციას, განსაზღვრავს სახელმწიფოს ძირითად პოლიტ. მიმართულებას, ირჩევს პრეზიდენტს 5 წლით. სახალხო კონსულტაციური კონგრესი შედგება: სახ. წარმომადგენელთა საბჭოსაგან (ერთპალატიანი პარლამენტი) და რ-ნებისა და ფუნქციონალური ჯგუფების (შეიარაღებული ძალები, საზ. ორგანიზაციები და სხვ.) წარმომადგენლებისაგან. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო წარმომადგენელთა საბჭოს. საარჩევნო უფლება მოქალაქეებს ეძლევათ 17 წლის ასაკიდან (დაქორწინებულებს — უფრო ახალგაზრდებსაც). სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. ის არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მის მიერ დანიშნული მთავრობა. სასამართლო სისტემაში შედის: უზენაესი სასამართლო, საოლქო და ე. წ. სახელმწ. სასამართლოები. არის აგრეთვე მუსლ. რელიგ. სასამართლოები.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

ი. მდებარეობს ეკვატორულ განედებში, ატმოსფეროს მუსონური ცირკულაციის ზონაში. ნაპირები სუსტადაა დანაწევრებული და ბევრგან კლდოვანი და ძნელად მისადგომია. მოხერხებული ნავსაყუდელი ცოტაა. ზედაპირის ნახევარზე მეტი საშუალ- და დაბალმთიანეთია, დანარჩენი ალუვიური ვაკეა. უმაღლესი წერტილია მთა ჯაია (5029 *მ*) კ. ახალ გვინეაზე. ქვეყნის აღმ. ნაწილში მაკასარის სრუტემდე და სამხრ. და სამხრ.-დას. კიდეზე ნაოჭა და ვულკ. მთებია. სუმატრის ჩრდ.-დას-იდან კ. ჰალმაჰერის ჩათვლით (დაახლ. 5000 *კმ* მანძილზე) 400-მდე ვულკანია, მ. შ. დაახლ. 80 — მოქმედი (კერინჩი, 3805 *მ*; რინჯანი, 3726 *მ*; სემერუ, 3676 *მ* და სხვ.). განსაკუთრებით ბევრი ვულკანია კ. იავაზე.

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ნავთობი, ქვანახშირი, რკინის, მანგანუმის, კალის, ნიკლის მადანი, ალუმინი, ფოსფატები.

ჰავა ი-ის უმეტეს ნაწილში ეკვატორულია, იავის აღმ-ით და მცირე ზონდის კ-ებზე — სუბეკვატორული. ბარში საშ. თვიური ტემპ-რები თითქმის ყველგან 25-იდან 27°C-მდეა, მთაში — უფრო დაბალი. 1500 *მ*-ზე მაღლა იცის წაყინვები. ტერიტ. დიდ ნაწილში ნალექები მთელი წლის განმავლობაში უხვად მოდის (დაახლ. 2000—4000 *მმ* წელიწადში). იავის აღმ. ნაწილში და მცირე ზონდის კ-ებზე მკვეთრადაა გამოხატული ორი სეზონი — წვიმიანი (ზაფხული) და მშრალი (ზამთარი), ნალექები 2000 *მმ*-ზე ნაკლებია წელიწადში.

მდინარეების ქსელი ხშირია. დიდი და წყალუხვი მდ-ებია კაპუასი და ბარიტო — კალიმანტანზე; ჰარი, კამპარი და მუსი — სუმატრაზე; მამბერამო და დიგული — ირიან-ჯაიაში.

ი-ის ფართობის 4/5 უჭირავს წითელ-ყვითელ ლატერიტულ და მთის ლატერი-

ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ინდონეზია

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 149
II. სახელმწიფო წესწყობილება. . .. 149
III. ბუნება 149
IV. მოსახლეობა . . 150
V. ისტორიული ნარკვევი 150
VI. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები 151
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი 152
VIII. შეიარაღებული ძალები 152
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 152
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. . 153
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია. . . . 153
XII. ლიტერატურა . . 153
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 153
XIV. მუსიკა 154
XV. თეატრი 154
XVI. კინო 154

ტულ ნიადაგებს. ვაკეზე გავრცელებულია აგრეთვე ტროპ. ჭაობისა და ლატერიტულ-ლებიანი ნიადაგები.

დაბლობები და მთის კალთები დაახლ. 1300—1500 *მ*-მდე შემოსილია ნოტიო მარადმწვანე ეკვატორული ტყით, ზემოთ—3000 *მ*-მდე — მთის ტროპ. ტყით, უფრო ზემოთ — მთის ტანბრეცილი ტყითა და ბუჩქნარით, სამხრ.-აღმ-ით ფოთოლმცვივანი ტყე და სავანა, დაბალ ნაპირებზე, განსაკუთრებით აღმ. სუმატრაში, დას. და აღმ. კალიმანტანში და ირიან-ჯაიაში მანგროვიანია.

ი-ის დას. ნაწილში ბინადრობს მაიმუნი (ორანგუტანი, გიბონი, მაკაკი), მარტორქა, სპილო, დათვი, ტაპირი, ბანტენგი, ხოხობი არგუსი, თუთიყუში, ნიანგი, გველები (კობრა, მახრჩობელა, პითონი), ხვლიკი ვარანი. აღმ-თვის ტიპურია ჩანთოსნები, განსაკუთრებით კუსკუსები, ღამურა, სამოთხის ფრინველები, თუთიყუში კაკადუ. ი-ში ბევრი მწერია. სანაპირო და შიგა წყლები მდიდარია თევზით.

IV. მოსახლეობა

ი-ში ცხოვრობს 150-ზე მეტი სხვადასხვა ხალხი. მოსახლ. უმრავლესობა განეკუთვნება მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახის ინდონეზიურ ჯგუფს. ამათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია: იაველები და მათი მონათესავე სუნდები და მადურელები (საერთო რაოდენობა 75 მლნ-ზე მეტი კაცი), ბატაკები (3 მლნ-ზე მეტი), ბალიელები (3 მლნ-მდე) და სხვ. ი-ში ცხოვრობენ აგრეთვე ჩინელები (4 მლნ-ზე მეტი), არაბები (200 ათ.), მელანეზიელები, პაპუასები და სხვ. მოსახლ. უმრავლესობა (87%) მუსლიმანი სუნიტია, არიან ქრისტიანებიც (4% — პროტესტანტები და კათოლიკეები), ბუდისტები, კონფუციანელები, ინდუისტები და სხვ.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, თევზჭერაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 74 კაცი 1 *კმ*²-ზე (1976). მოსახლ. 2/3 კონცენტრირებულია კ. იავაზე, სადაც 1 *კმ*²-ზე 500 კაცზე მეტი მცხოვრებია. სიმჭიდროვე დაბალია კ. კალიმანტანზე (10 კაცზე ნაკლები 1 *კმ*²-ზე), მოლუკის კ-ებზე (11 კაცი), ირიან-ჯაიაში (დაახლ. 2 კაცი). მოსახლ. დაახლ. 70% სოფლად ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: ჯაკარტა (დაახლ. 6,5 მლნ. მკს., 1977), სურაბაია, ბანდუნგი, ჩედანი, პალემბანგი, სემარანგი.

V. ისტორიული ნარკვევი

ი-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვემო პალეოლითის ძეგლები. ახ. წ. დასაწყისში იავაზე, სუმატრასა და კალიმანტანზე დაიწყო კლასობრივი საზ-ბის ჩამოყალიბება. პირველი სახელმწიფოები ი-ში იყო ტარუმა და კალინგა კ. იავაზე; მალაიუ, ტულანგ ბარუ და შრივიჯაია — კ. სუმატრაზე. VII ს-ში ი-ის სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა ფეოდ. წყობილება. VII ს. შუა ხანებში რამდენიმე სამთავროს გაერთიანების შედეგად შეიქმნა *შრივიჯაიის* ძლიერი იმპერია. VIII ს. II ნახევარში იგი განმტკიცდა მალაკის ნ.-კ-ზე. VIII—IX სს. იყო შრივიჯაიის აყვავების ხანა. XI ს-იდან ი-ის კულტ. და ეკონ. ცხოვრების ცენტრმა იავაზე გადაინაცვლა, სადაც XI ს. შუა ხანებიდან *მატარამის* სახელმწიფომ გააერთიანა და თავის ძალაუფლებას დაუქვემდებარა ცენტრ. და აღმ. იავისა და კ. ბალის მსხვილი სავაჭრო ქალაქები.

XIII ს. დასასრ. იავაზე წარმოიშვა *მაჯაპაჰიტის* იმპერია, რ-იც შუა საუკუნეებში ყველაზე დიდი საერთო ინდონეზიური სახელმწიფო იყო. XVI ს. I ნახევარში მაჯაპაჰიტი რამდენიმე მუსლ. სამთავროდ დაიშალა (ისლამი ი-ში შემოიჭრა ინდოეთიდან და მალაკიდან XIV ს-ში). 1575 ამ სამთავროებს შორის ბრძოლა დასრულდა ცენტრ. და აღმ. იავის დიდი ნაწილის გაერთიანებით, შეიქმნა ახ. სახელმწიფო მატარამი. ი-ის შემდგომი დამოუკიდებელი განვითარება შეაფერხეს ევროპელებმა. XVI ს-ში ი-ში პორტუგალიელები მოვიდნენ, ხოლო XVI ს. 90-იან წლებში — ჰოლანდიელები. XVII ს. დასაწყისში ჰოლანდ. ოსტინდურმა კომპანიამ განდევნა პორტუგალიელები ი-იდან. ჰოლანდ. კოლონიზატორმა ი. კუნმა დაარსა პირველი ჰოლანდ. ფორტი იავაზე, რ-იც ჰოლანდ. ი-ში კოლონ. სამფლობელოების დედაქალაქი გახდა. ინდონეზ. ხალხი მამაცურ წინააღმდეგობას უწევდა ჰოლანდიელებს. XVII—XVIII სს-ში ჰოლანდიელებმა ჩაახშვეს დიდი სახ. აჯანყებები. XVIII ს-ში დაიწყო ჰოლანდ. ოსტინდური კომპანიის დასუსტება. 1800 მან შეწყვიტა არსებობა. კომპანიის სამფლობელოები ჰოლანდ. სახელმწიფოს (ნიდერლანდის) ხელში გადავიდა. 1811 ი. დაიპყრეს ინგლისელებმა. დიდი ბრიტ. ბატონობა ი-ში ხანმოკლე აღმოჩნდა. ინგლ.-ჰოლანდ. შეთანხმებით 1814 ი. ნიდერლანდს დაუბრუნდა. ჰოლანდ. ხელისუფალთა მისწრაფება მოესპოთ კერძო მეწარმეობა ი-ში, აეკრძალათ ევროპელებისათვის მიწების იჯარით აღება ცენტრ. იავის სამთავროებში, შეეხო ი-ის ფეოდალების ინტერესებს. მათი ნაწილი მიემხრო დიდ სახ. აჯანყებას (1825—30), რ-საც უფლისწული დიპონეგორო მეთაურობდა. 1830 იავაზე შემოიღეს იძულებითი სას.-სამ. კულტურების სისტემა, რ-ის მიხედვით გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავისი მიწის ნაწილი გამოეყოთ სასაქონლო კულტურებისათვის, დაემუშავებინათ ისინი და ჩაებარებინათ მოსავალი მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფასებში. ეს ბატონყმური სისტემა, ვაჭრობის მონოპოლიასთან ერთად გაუქმდა 1870, რამაც გზა გაუხსნა კერძო ჰოლანდ. და არაჰოლანდ. კაპიტალს ი-ში. იძულებითი კულტურების სისტემის ლიკვიდაციამ ხელი შეუწყო სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ზრდას ი-ში. სწრაფად იქმნებოდა კერძო საწარმოები და პლანტაციები, მაგრამ მათი უმრავლესობა უცხოელებს ეკუთვნოდა. ამ პირობებში ეროვნ. ბურჟ. ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი ი-ში ძალზე ნელა მიმდინარეობდა. XIX ს. 70-იან წლებში ჰოლანდიამ დაიმორჩილა კ. სუმატრა აჩეს სასულთნოს გარდა. 1873 ნიდერლანდმა დაიწყო აჩეს დაპყრობა, რაც 30 წელს გაგრძელდა (1904-მდე). XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონდნენ უცხოეთის მონოპოლიები.

XX ს. დასაწყისში ი-ში დაიწყო ორგანიზებული ეროვნ.-განმთ. მოძრაობა. იავაზე წარმოიშვა მუშათა და მოსამსახურეთა პირველი პროფკავშირები (1905). რუს. 1905—07 რევოლუციამ გავლენა მოახდინა მუსლ. ქვეყნებზეც, მ. შ. ი-ზე. 1908 შეიქმნა პირველი ეროვნ. ორგანიზაცია *„ბუდი უტომო“*. ხოლო 1911 — მასობრივი ორგანიზაცია *სარეკატ ისლამი*. I მსოფლიო ომის დროს გლეხებმა შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს ჰოლანდიელების წინააღმდეგ. 1920 ს.-დ. გაერთიანების (შეიქმნა 1914) საფუძველზე შეიქმნა ი-ის კომპარტია. 1923 კომუნისტების ხელმძღვანელობით მოეწყო რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვა. 1926 ნოემბ. იავაზე იფეთქა აჯანყებამ, რ-იც 1927 სუმატრასაც მოედო. ეს აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს კოლონიზატორებმა. 1927 *სუკარნოს* ხელმძღვანელობით შეიქმნა ი-ის ეროვნ. პარტია, რ-მაც წამოაყენა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანები. 1929 ჰოლანდიელმა კოლონიზატორებმა სუკარნო და მისი თანამებრძოლები დააპატიმრეს. 1930 ეროვნ. პარტია გაუქმდა, მაგრამ 1931 კვლავ აღდგა და ეწოდა ინდონეზიის პარტია.

1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმა, რ-მაც უდიდესი დარტყმა მიაყენა ი-ის ეკონომიკას და კატასტროფულად გააუარესა მშრომელთა საარსებო პირობები, გააძლიერა მუშათა და გლეხთა მოძრაობა და განმათ. ბრძოლები. 1933 კრეიცერ „დე ზევენ პროვინსენზეზ“ აჯანყდნენ ინდონეზ. და ჰოლანდ. მეზღვაურები. 1933 თავის ბროშურაში „თავისუფალი ინდონეზიისათვის“ სუკარნომ (ციხიდან გაათავისუფლეს 1931) ჩამოაყალიბა მომავალი „პანჩა სილასა“ („ხუთი პრინციპი“) და „მარჰაენიზმის“ („მარჰაენი“—უბრალო ადამიანი) თეორიის საფუძვლები. 1937 ეროვნ. და წვრილი ბურჟ. რევ. წარმომადგენლებმა და კომუნისტებმა შექმნეს მასობრივი პატრ. ორგანიზაცია — ინდონეზ. ხალხის მოძრაობა (გერინდო). ამ ორგანიზაციის ინიცია-



1. ბრუნეი, 2.პაპუა-ახალი გვინეა

შენიშვნა: ამჟამად აღმოსავლეთ ტიმორი ოკუპირებულია ინდონეზიის მიერ და, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიუხედავად, შეყვანილია ინდონეზიის შემადგენლობაში

ივით სხვა პოლიტ. პარტიებთან და ორ-ანიზაციებთან ერთად შეიქმნა Ი-ის პო-ლიტ. კავშირი (გაპი), რ-მაც იაპ. მზარდი გრესიის საფრთხის პირობებში მოითხო-ა ქვეყნის ეროვნ. ინტერესების დაცვა.

1942 მარტში ჰოლანდ. ხელისუფლებამ ავი დამარცხებულად ცნო იაპონელთა წი-აშე. იაპონელმა ოკუპანტებმა Ი-ში დაამ-არეს მკაცრი საზწ.-საოკუპაციო რეჟიმი. ვეყნის რესურსებისა და მოსახლ. გაძარ-გამ, იძულებითი შრომის შემოღებამ, ამზ.-პოლიციურმა რეჟიმმა მალე აამხედ-ა Ი-ის მოსახლ. ოკუპანტების წინააღმ-ეგ. 1943 — 44 ავგანყებებმა საყოველ-აო ხასიათი მიიღო. ანტიიაპ. ბრძოლის ანგარდში Ი-ის კომუნისტები იდგნენ. ორკ-ის ბაზმამ იმპერიალ. იაპონიის წი-ააღმდეგ ომში, იაპ. უსიტყვო კაპიტულა-იამ (1945, 2 სექტ.) ინდონეზ. პატრიო-ებს შესაძლებლობა მისცა დაწყებული ანმათ. ბრძოლა გამარჯვებით დაეგვირ-ვინებინათ.

1945 წ. 17 აგვ. Ი. დამოუკიდებელ ესპუბლიკად გამოცხადდა. პრეზიდენტად ირჩიეს სუკარნო. კოლონ. რეჟიმის აღდ-ენის მიზნით Ი-ის ტერიტორიაზე გადასხდ-ენ ინგლ.-ინდოეთისა და ჰოლანდ. ჯარები. ორკ პირველი გამოვიდა გაეროში (1946 ანვ.) Ი-ის ხალხისა და მისი თვითგამორ-ეკვის უფლებების დასაცავად. 1948 სექტ. ემარჯვენე ძალებმა მოაწყვეს შეიარაღე-ული შეტაკებები მადიუნის რ-ნში, რის ედეგად დაიღუპა კომპარტიის რამდენიმე �იდერი (შარიფუდინი, მუსო და სხვ.) და ნასობით მებრძოლი. ინდონეზ. ხალხის ანმათ. ბრძოლა 4 წელიწადს გაგრძელდა (1945—49). 1949 ნიდერლანდი იძულებუ-ი გახდა ჰოლანდია-ინდონეზიის „მრგვა-ი მაგიდის" კონფერენციაზე ეღიარები-ა Ი-ის დამოუკიდებლობა. კონფერენციის ადწყვეტილების შესაბამისად Ი. გახდა ედერ. სახელმწიფო — ინდონეზიის შე-ნთებული შტატების რესპუბლიკა, რ-ის ემადგენლობაში შევიდა Ი-ის რესპუბლი-ა და 15 შტატი, მაგრამ ნიდერლანდმა ს თავს მოახვია ისეთი შეთანხმებები, -იც ბოლავდა Ი-ის სუვერენიტეტს. ნი-ერლანდს დარჩა Ი-ის ტერიტ. ნაწილი— ას. ირიანი (ახლანდ. ირიან-ჯაია). ინ-ონეზ. ხალხი განაგრძობდა ბრძოლას ერ-იანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შე-ქმნელად. შტატები ნებაყოფლობით შეუ-ერთდნენ Ი-ის რესპუბლიკას. 1950 აგვ. გამოცხადდა უნიტარულ რესპუბლიკად. ილეს დროებითი კონსტიტუცია.

ჰოლანდ. იმპერიალისტებსა და შინა-ან რეაქციას ამის შემდეგაც არ აუღიათ ლი ძირგამომთხრელ საქმიანობაზე. 950—60 ეწყობოდა სეპარატისტული ამ-ხებები, მემარჯვენე ოფიცერთა შეთქ-ლებები, ტერორისტული აქტები, თა-ეშობდნენ რეაქციულ-კლერიკალური ბან-ები (დარ-ულ-ისლამი). მდგომარეობა დეე უფრო გაშწვავდა 1953-იდან, რო-ესაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მარცხენე ნაციონალისტთა მთავრობა სტროამიჯოიოს ხელმძღვანელობით, მან ერგიული ღონისძიებები მიიღო ეროვნ. ვერენიტეტის განსამტკიცებლად, ეკონ. ამოუკიდებლობის მოსაპოვებლად (უცხ. ომპანიების ნაციონალიზაცია) და ბრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობე-ბლად. ამ ანტიიმპერიალ. და დემოკრ. ონისძიებების შედეგად მაშუმის (შეი-ნა 1945 ისლამის პრინციპებზე) მუსლი-ნური პარტიისა და მემარჯვენე სოციალ. ადერები კონტრრევ. და იმპერიალიზმის ნაკში გადავიდნენ. 1956—58 მათი მო-წილეობით იავაზე, სუმატრასა და სხვა ებზე ეწყობოდა შეთქმულებები, კონტრ-ვ. გადატრიალების ცდები.

1957 თებ. სუკარნომ წამოაყენა „მარ-ული დემოკრატიის" კონცეფცია, ამით ნ უარყო დას. ბურჟ. სპარლამენტო სის-ემა, რ-საც არ შეეძლო 1945 რევ. მიერ მოყენებული ამოცანების გადაჭრა და სამართლიანი საზ-ბის შექმნა. „მართულ დემოკრატიაში" სუკარნო ხედავდა მემარ-ჯვენე პარტიების ალაგმვის, პირადი ხე-ლისუფლების განმტკიცებისა და წვრილ-ბურჟ. სოციალიზმის იდეების განხორციელ-ების გზას. სუკარნოს საჭიროდ მიაჩნდა ეროვნ. საბჭოს შექმნა, რ-შიც შეეიდოდა საზ-ბის ყველა ფენის წარმომადგენელი. Ი-ის კომპარტიამ მოიწონა სუკარნოს გეგ-მა, რეაქციის ძალებმა კი მას ახ. ძირგამომ-თხრელი საქმიანობით უპასუხეს. კომ-პარტიისა და სხვა დემოკრ. ორგანიზაციე-ბის მზარდაჭერით სუკარნომ გააძლიერა ბრძოლა რესპ. შინაგანი და გარეშე მტრე-ბის წინააღმდეგ. დემოკრ. ძალებზე, უწინ-არეს ყოვლისა კომპარტიაზე დაყრდნობ-ით სუკარნომ 1959 წ. 5 ივლ. დეკრეტით აღადგინა 1945 კონსტიტუცია. ახ. კაბი-ნეტს სათავეში ჩაუდგა თვითონ პრეზი-დენტი (მთავარი მინისტრი — ჯუანდა). ეროვნ. საბჭო გარდაიქმნა უმაღლეს საკონ-სულტაციო საბჭოდ.

1957 წ. 17 აგვ. საპროგრამო სიტყვაში სუკარნო მოუწოდებდა 1945 რევ. იდეა-ლების განხორციელებისათვის ბრძოლისა-კენ. ეს სიტყვა ე. წ. „პოლიტიკური მანი-ფესტი" („მანიპოლი") უმაღლესმა საკონ-სულტაციო საბჭომ მიიღო როგორც ოფიც. სახელმწ. პროგრამა. „მანიპოლი" შეიცავ-და 5 ძირითად პრინციპს („1945 კონსტიტუ-ცია", „ინდონეზიური სოციალიზმი", „მა-რთული დემოკრატია", „მართული ეკო-ნომიკა", „ინდონეზიის თვითმყოფობა"). 1960 წ. 15 აგვ. პრეზიდენტმა შექმნა დრო-ებითი სახ. საკონსულტაციო კონგრესი. 1960 წ. 17 აგვ. დეკრეტით სუკარნომ აკრ-ძალა მაშუმისა და სოციალ. პარტიები. მომზადდა ეროვნ. ფრონტის წესდება „ნა-საკომის" (ნაციონალისტური, რელიგ. და კომუნისტური ორგანიზაციების თანამ-შრომლობა) პრინციპის საფუძველზე.

1961 გაზაფხულისათვის დასრულდა ჰოლანდ. და სხვა უცხო საწარმოების ნა-ციონალიზაცია. 1961 მიიღეს სახ. მეურნ. განვითარების 8-წლიანი (1961—69) გეგ-მა, რ-ის რეალიზაციაში ინდონეზ. ხალხს უანგარო დახმარებას უწევდა სსრკ. 1963 ინდონეზ. ხალხმა დიდი გამარჯვება მოი-პოვა — რესპუბლიკას შეუერთდა დას. ირი-ანი (ახლანდ. ირიან-ჯაია).

წლების მანძილზე Ი-ის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკაში ახორციელებდა მშვიდობის დაცვის, ანტიკოლონიალიზმის, აგრესიებისა და ლოკალური ომების დაგ-მობის კურსს, მხარს უჭერდა საყოველთაო განიარაღებას. გაეროში გამოდიოდა მშვი-დობის ძალებთან ერთად და ავითარებდა მეგობრულ, ურთიერთხელსაყრელ ურთი-ერთობას სსრკ-თან, სოციალ. ქვეყნებთან, აქტიურად თანამშრომლობდა მათთან სა-ერთაშ. ურთიერთობის მთელ რიგ საკი-თხებში.

60-იანი წწ. დამდეგისათვის Ი-ის რესპ. ცხოვრებაში მიღწევებთან ერთად სე-რიოზულმა ნაკლოვანებებმა იჩინა თავი. სუკარნოს „მართული დემოკრატიის" სის-ტემამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის ეკონ. აღმავლობა. ბევრი არაფერი გაკეთებულა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მდგო-მარეობის გასაუმჯობესებლად. ბიუროკრ. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო ქვეყ-ნის ეკონ.-ფინანს. დეზორგანიზაცია. Ი-ის კომპარტიის ხელმძღვანელობა უსიტყვოდ უჭერდა მხარს სუკარნოს ყველა საშინაო და საგარეო ღონისძიებას, რამაც მისი ავ-ტორიტეტი თანდათან დასცა. კომპარტიის რიგებში მოზღვავდა წვრილბურჟ. ელე-მენტები; იგი დაშორდა მარქსიზმ-ლენი-ნიზმს და მაოისტების იდეურ გავლენაში მოექცა. არათანამიმდევრული იყო სუკარ-ნოს მთავრობის საგარეო პოლიტიკაც. მან შეასუსტა მეგობრული კავშირი სსრკ-თან და ჩინ. სრ-ზე აიღო ცალმხრივი ორი-ენტაცია. გაეროს უშიშროების საბჭოში მალაიზიის არჩევასთან დაკავშირებით 1965 იანვ. Ი. გამოვიდა გაეროდან (Ი. გა-ეროში კვლავ შევიდა 1966). გააქტიურდა რეაქცია, რამაც განსაკუთრებული ძალით არმიაში იჩინა თავი. არმიის გენერალი-ტეტი დაირაზმა სუკარნოსა და კომპარტი-ის წინააღმდეგ, მაგრამ ამ საფრთხის თა-ვიდან ასაცილებლად, არც მთავრობას მიუღია ეფექტური ზომები, არც კომპარ-ტიას. ასეთ ვითარებაში 1965 წლის 30 სექტ. პრეზიდენტის დაცვის ბატალიონის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა უნტუნგმა მო-აწყო მემარცხენე ოფიცერთა ჯგუფის კონტრშეთქმულება („30 სექტემბრის მო-ძრაობა") იმ მიზნით, რომ ჩამოეცილები-ნათ სახმელეთო ჯარების რიგი უმაღლესი თანამდებობის პირი. კომპარტიის ხელმ-ძღვანელობის ვიწრო ჯგუფმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა უნტუნგისათვის. შეთქმუ-ლება „სასახლის ამბოხებად" გადაიქცა. მას მხარი არ დაუჭირეს ხალხის მასებმა, და მარცხით დამთავრდა. არმიის ზედა-ფენამ, რ-მაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლე-ბა, 30 სექტ. ამბები გამოიყენა საბაბად, რათა გაენადგურებინა კომპარტია, დე-მოკრ. ძალები. 1966 აიკრძალა კომპარ-ტია და მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა. 1967 სუკარნოს ჩამოერთვა პრეზიდენტის რწმუნებები. 1968 პრეზი-დენტის პოსტი დაიკავა გენ. ა. *სუპარტომ*. 70-იანი წლების II ნახევარში სამზ. წე-სების შენარჩუნების მიუხედავად, წარმოე-ზვა მასობრივი უკმაყოფილება, რაც რიგ შემთხვევაში დემოკრ. ახალგაზრდობისა და მუშათა კლასის მძლავრ. გამოსვლებში გადაიზარდა. სუპარტოს მთავრობა რეპ-რესიულ ზომებთან ერთად იძულებული იყო ეროვნ. ინტერესების დასაცავად განეხორ-ციელებინა ზოგიერთი ღონისძიება. ამ კურსის განუყოფელი ნაწილი იყო სოციალ. ქვეყნებთან (კერძოდ, სსრკ-თან) შეწყვე-ტილი სავაჭრო-ეკონ. კონტაქტების განახ-ლება. 1975—78 სუპარტოს მთავრობამ გადასახლებიდან დააბრუნა ათეული ათ. დემოკრატი, რ-ებსაც ძვ. საცხოვრებელ ადგილებში მიეცათ მუშაობის უფლება პოლიციის ზედამხედველობით. 1976 წ. 17 ივლ. სუპარტომ ხელი მოაწერა დეკ-რეტს ალმ. ტიმორის ანექსიის შესახებ გა-ეროს გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ. საგარეო პოლიტიკაშიც Ი-ის მთავრობა იძულებული გახდა ხელი აეღო ცალმხრივ ორიენტაციაზე და მხარი დაეჭირა ეროვნ.-განმათ. ძალებისათვის, ხმა აემაღლებინა კოლონ. აქციების წინააღმდეგ.

ლიტ.: Беленький А. Б., Национальное пробуждение Индонезии, М., 1965; Зазаникона Е. П., Рабочий класс и национально-освободительное движение в Индонезии, М., 1971.

VI. პოლიტიკური პარტიები და პროფკავ-შირები

ფუნქციონალური ჯგუფები (გოლკარი), შეიქმნა 1964. მთავრო-ბის პოლიტ. ორგანიზაცია, რ-იც აერთია-ნებს 200-ზე მეტ სხვადასხვა ორგანიზაცი-ასა და კავშირს. ინდონეზიის დე-მოკრ. პარტია (იდპ), შეიქმნა 1973. ერთიანობისა და განვითა-რების პარტია (ეგპ), შეიქმნა 1973. ინდონეზიის კომუნის-ტური პარტია (იკპ) დაარსდა 1920წ. 1966-იდან იატაკქვეშეთში. ინდო-ნეზიის მუშათა ფედერაცია, შეიქმნა 1973. ინდონეზიის გლე-ხთა ერთიანობის კავშირი, შეიქმნა 1973.

ინდონეზიის საშინაო საქ-მეებში სეატოს ნარევის წი-ნააღმდეგ საპროტესტო დე-მონსტრაცია აშშ-ის საელ-ჩოს შენობის წინ. 1958 მარტი.

კაუჩუკოვნების პლანტაცია.



ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. პალეჯუ—ქ. ბალემბანგის გარეუბანი.

ბრინჯის ყანა კ. სულავესიზე. ქ. მაკასარის რაიონი.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ი. აგრ. ქვეყანაა, სადაც განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა. კოლონ. ბატონობის პერიოდში ი-ის ეკონომიკამ მიიღო აგრ.-სანედლეულო მიმართულება. XIX ს. ბოლოსათვის აქ შეიქმნა აზიაში უდიდესი საპლანტაციო მეურნეობა და მნიშვნელოვანი სამთომოპოვებითი მრეწველობა. ი. მსოფლიო ბაზარს აწვდიდა სას.-სამ. და მინერ. ნედლეულს (1938 მის წილად მოდიოდა ქინაქინის მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტის 90%, პილპილის ექსპორტის 85% და სხვ.). ომამდელ პერიოდში უცხოეთის დაბანდებანი დაახლ. 2,1 მლრდ. დოლარს შეადგენდა, აქედან 70% მოდიოდა ნიდერლანდზე, დანარჩენი— დიდ ბრიტანეთზე, აშშ-ზე, საფრანგეთსა და ბელგიაზე. იაპ. ოკუპაციამ (1942—45) და ჰოლანდ. აგრესიამ (1945—49) დიდი ზიანი მიაყენა ი-ის საპლანტაციო მეურნეობას, მრეწველობას, ტრანსპორტს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განხორციელდა ღონისძიებანი ეროვნ. ეკონ. აღსადგენად და განსავითარებლად. გაძლიერდა სახელმწ. სექტორი, განსაკუთრებით ჰოლანდ. კერძო საწარმოთა ნაციონალიზაციის შემდეგ (1957—61). ქვეყნის ეკონომიკა ვითარდებოდა რესპ. შიგა და გარე ბაზრებთან. გამუდმებული ბრძოლის პირობებში. სათავეში მდგარმა ბურჟუაზიამ სახელმწ. სექტორი თავისი გამდიდრებისათვის გამოიყენა. ქვეყნის ეკონ. მდგომარეობა გაუარესდა 1965 სექტ. შემდეგ, როდესაც ი-ში გაანადგურეს დემოკრ. ძალები. შემცირდა წარმოება, გაძლიერდა ინფლაცია, გაიზარდა საგარეო სესხი. ამ პრობლემის რეგულირებისათვის იმპერიალ. კრედიტორ-სახელმწიფოებმა (აშშ, იაპონია, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი) შექმნეს საერთაშ. კონსორციუმი. - 1967 მიღებული კანონით ფართო გასაქანი მიეცა უცხ. კერძო კაპიტალს. სახელმწ. კონტროლს დაქვემდებარებული უცხ. საწარმოები დაუბრუნდა ძვ. მფლობელებს. ჯაკარტაში გაიხსნა აშშ-ის, იაპ., ნიდერ., საფრ. და სხვა სახელმწიფოთა ბანკების ფილიალები. გაუარესდა მშრომელი მასების მდგომარეობა. გაიზარდა უმუშევრობა. 1977 უმუშევართა და ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვმა 16,5 მლნ. კაცს მიაღწია.

სოფლის მეურნეობა ეკონ. მთავარი დარგია. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის მემამულეებსა და მევახშეებს. დიდ კაპიტალ. საპლანტაციო მეურნეობათა გვერდით არსებობს წვრილი ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობა. საპლანტაციო მეურნეობათა დიდი ნაწილი, რ-იც თავმოყრილია უმთავრესად იავაზე და ჩრდ. სუმატრაზე, სახელმწიფოს ეკუთვნის; არის ინგლ., ამერ. და სხვ. საპლანტაციო მეურნეობები.

სოფ. მეურნ. შემოსავლის დაახლ. 80%-ს იძლევა მიწათმოქმედება. სას.-სამ. მიწები ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 9,5%-ს შეადგენს. მიწათმოქმედებიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი მოდის სასურსათო კულტურებზე, რ-ებიც უმთავრესად გლეხურ მეურნეობებში მოჰყავთ. მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი (15600 ათ. ტ, 1977), რ-საც სარწყავი მიწის 4/5 უჭირავს. ბრინჯის ნათესების 50%-ზე და სხვა სასურსათო კულტურების ნათესების 75%-ზე მეტი კ. იავაზეა. მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი (2400 ათ. ტ, 1977), მანთოკი, ბატატი, არაქისი, სოია.

მთავარი საექსპორტო კულტურებია: კაუჩუკოვნები, ქოქოსისა და ზეთის პალმა, ჩაი, ყავა, კაკაო, შაქრის ლერწამი, პილპილი, ქინაქინის ხე, სიზალი. კაუჩუკის პროდუქციის (828 ათ. ტ, 1977), დაახლ. 2/3-ს იძლევა კ. სუმატრა. კოპრის წარმოებით (1406 ათ. ტ, 1977) ი. II ადგილზეა მსოფლიოში (ფილიპინების შემდეგ). ქოქოსის პალმა გავრცელებულია მთელ ქვეყანაში. მას უმთავრესად აშენებენ გლეხურ მეურნეობებში, ზეთის პალმას კი — მხოლოდ პლანტაციებში, ძირითადად ჩრდ. სუმატრაზე. პალმის ზეთის წარმოებით (573 ათ. ტ, 1977) ი. III ადგილზეა მსოფლიოში (მალაიზიისა და ნიგერიის შემდეგ). ი. ჩაის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორია. ჩაის მთლიანი მოსავლის (75 ათ. ტ, 1977) ნახევარზე მეტი მოჰყავთ დას. იავის, ჩრდ. და ცენტრ. სუმატრის პლანტაციებზე. შაქრის ლერწმის (1157 ათ. ტ შაქარი, 1977) პლანტაციები უმთავრესად კ. იავაზეა. ი. ქინაქინის ხის ქერქისა და ქინაქინის მთავარი მიმწოდებელია (პროდუქციის დიდ ნაწილს იძლევა ბანდუნგის ქინაქინის ფ-კა). ქინაქინის ხის პლანტაციები მთიან რ-ნებშია (უმთავრესად კ. იავაზე). ყავის ხეს (185 ათ. ტ ყავა, 1977) აშენებენ ძირითადად ცენტრ. და აღმ. იავასა და სუმატრაზე. მაღალხარისხოვანი თამბაქო მოჰყავთ ჩრდ. სუმატრაზე.

მეცხოველეობა დამხმარე მნიშვნელობისაა. განვითარებულია თევზჭერა (1400 ათ. ტ თევზი, 1975). ზღვებში იჭერენ სარდინს, სკუმბრიას, ასთაკვს, გარნელს, ტრეპანგს; შიგა წყალსატევებში — კობრს. აგროვებენ აგარ-აგარს, მარგალიტსა და სადაფის ნიჟარებს.

ი-ის ტერიტ. 65% ტყეს უჭირავს. 1976 დაამზადეს 23 მლნ. $м^3$ ხე-ტყე.

მრეწველობა. ი-ში ძირითადად განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწვ. დარგები, რ-თა პროდუქცია საექსპორტოა, კერძოდ, ნავთობის (83,6 მლნ. ტ, 1977), კალის მადნის (25,2 ათ. ტ, 1977), ნიკლის მადნის (967,9 ათ. ტ, 1977), ბოქსიტების (1,3 მლნ. ტ, 1977) მოპოვება. ნავთობის 2/3-ზე მეტს იღებენ ამერ. ნავთობის კომპანიები. მთავარი ნავთობსარეწებია ცენტრ. და სამხრ. სუმატრაზე, დანარჩენ ნავთობს იღებენ ი-ის სახელმწ. და უცხოეთის (იაპ., კანადა და სხვ.) ნავთობის კომპანიები. ნავთობს ამუშავებს სუნგეიგერონგის, პლაჯუს, დუმაის, პანგკალანბრანდანის, სუნგეიპაკნინგის (სუმატრა), ბალიკპაპანის (კალიმანტანი), ვონოკრომოს (იავა) ნავთობგადასამუშ. ქ-ნები. სახელმწ. კომპანია კ. ბანკაზე იღებს კალის მადანს (მთელი მოპოვების 2/3), კ. ბინტანზე კი ბოქსიტებს. კ. სულავესიზე იაპ. კომპანია იღებს ნიკლის მადანს.

1975 გამომუშავებულია 3,25 მლრდ. *კვტ·სთ.* ელექტროენერგია, მათი დიდი ნაწილი მოდის ჰესებზე. ელექტროენერგიის 75%-ზე მეტს იძლევა კ. იავა.

დამუშავებითი მრეწვ. საწარმოთა დაახლ. 70% და ამ დარგში დასაქმებულთა 2/3 მოდის კვების (ბრინჯსაცეხვი, თამბაქოს, შაქრის, ჩაის, ზეთსახდელი და სხვ. საწარმოები) და საფეიქრო (ბამბის ნართისა და ქსოვილების, ტრიკოტაჟის, სიზალის გადასამუშ. საწარმოები) მრეწველობაზე. არის აგრეთვე კაუჩუკის გადასამუშ., საშენ მასალათა, ფარმაცევტული, ხე-ტყის სახერხი და ხის დასამუშ. საწარმოები. განვითარებულია პოლიგრ. საქმე. შეიქმნა ლითონდამუშავებისა და მანქანათმშ. ახ. დარგები, ლითონის საოჯახო ნივთების, სას.-სამ. იარაღებისა და სარემონტო-მექან. საწარმოები; გაჩნდა გემთმშენებლობა და ავტოთაწყობა (იმპორტული ნაწილებით). გაიზარდა ქიმ. მრეწვ., განსაკუთრებით მინერ. სასუქის წარმოება.

ბევრია წვრილი შინამრეწველური საწარმო, რ-იც მოსახლეობას ამარაგებს სურსათით (შაქარი), ქსოვილით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საოჯახო ნივთებით, ამზადებენ ბამბუკისა და პალმის ბოჭკოს წნელ ნაკეთობებს (კალათა, შლაპა, ჭილოფი), ქოლგებს, თიხის ჭურჭელს, ხის, ძვლის, ტყავისა და ვერცხლის მხატვრულ ნაკეთობებს.

ტრანსპორტი. ი-ში წამყვანია საზღვ. ტრანსპორტი. დიდი ნავსადგურებია: კ. იავაზე — ტანჯუნგპრიოკი (ემსაურება ქ. ჯაკარტას) და სურაბაია, კ. სუმატრაზე — პალემბანგი და ბელავანი (ემსაურება ქ. მედანს), კ. კალიმანტანზე — ბალიკპაპანი, კ. სულავესიზე — უჯუნგპანდანგი. კუნძულთშორისი გადაზიდვების მნიშვნელოვან ნაწილს ახორციელებს სახელმწ. კომპანია, საერთაშ. გადაზიდვებს—უცხოეთის სანაოსნო კომპანიები. საზღვ. სავაჭრო ფლოტის ტონაჟი შეადგენს დაახლ. 1,2 მლნ. ბრუტო სარეგისტრო ტონას (1977). ბევრ. რ-ში (კალიმანტანი, ირიან-ჯაია, აღმ. სუმატრა) მდინარეები სანაპიროს და შიგა. რ-ნების მთავარი, ზოგჯერ კი ერთადერთი დამაკავშირებელი გზაა. რკინიგზის სიგრძეა 8596 *კმ*, საავტ. გზებისა—85 ათ. *კმ* (1976). საავტ. გზების დაახლ. 80% კ. იავაზე და სუმატრაზეა. კ. კალიმანტანის საავტ. გზა გაყვანილია სსრკ-ის მონაწილეობით (1966). არის ნავთობსადენები. ი-ის დიდი ქ-ები საპაერო გზებით უკავშირდება სამხრ.-აღმ. აზიის ახალმწიფოთა დედაქალაქებს. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია კემაიორანი (ჯაკარტა).

საგარეო ვაჭრობა. 1976/77 ი-ის ექსპორტმა შეადგინა 6,6 მლრდ. დოლ., ინპორტმა — 6,2 მლრდ. გააქვთ: ნავთობი, ხე-ტყე, კაუჩუკი, კალა, კოპრი, პალმის ზეთი, ყავა და სხვ. შეაქვთ: მანქანა-მოწყობილობანი, სამრეწვ. ნედლეული, ბრინჯი. ი-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორებია: იაპონია, აშშ, სინგაპური, გფრ.

ლიტ.: Архипов В. Я., Экономика и экономическая политика Индонезии (1945—1968), М., 1971.

VIII. შეიარაღებული ძალები

ი-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საპაერო და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. საერთო რაოდენობაა (1976) დაახლ. 246 ათ. მეტი კაცი, ამის გარდა არის სამხ. პოლიცია (დაახლ. 130 ათ. კაცი). უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. არმია კომპლექტდება სამხ. ვალდებულების კანონის საფუძველზე და მოხალისეთა დაქირავების გზით. სახმელეთო ჯარების რაოდენობა 180 ათ. მეტი კაცი. შეიარაღება უმთავრესად უცხ. წარმოებისაა. სამხ.-საპაერო ძალებში (დაახლ. 28 ათ. კაცი) 36 საბრძოლო და 60-ზე მეტი სატრანსპ. თვითფრინავია. სამხ.-საზღვ. ძალები (დაახლ. 38 ათ. კაცი) შედგება ფლოტის, ავიაციისა და საზღვ. ქვეითი ჯარისაგან. მის შემადგენლობაშია დაახლ. 170 საბრძოლო ხომალდი და დამხმარე გემი.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1968 შობადობა 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 48,3. საერთო სიკვდილიანობა 19,4; ბავშვთა სიკვდილიანობა ზუსტად არ არის აღრიცხული. სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია ინფექციური დაავადებანი. მალარიის გავრცელებით ი-ის პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ტუბერკულოზის ღია ფორმებით დაავადებულია 2 მლნ-ზე მეტი კაცი. 1952-იდან ქალაქებში დაიწყო ბავშვების ტუბერკულოზის საწინააღმდეგო იმუნიზაცია. გავრცელებულია კეთრი, მუცლის ტიფი, პარატიფი, დიზენტერია, ტრაქომა, ბლენორეა და თვალის სხვა სნეულებანი.

მოსახლეობას სამედ. დახმარებას უწევენ სახელმწ. სამსახურში მყოფი და კერძო ექიმები. 1968 ი-ში იყო 1052 საავადმყოფო 76,9 ათ. საწოლით (0,7 საწოლი 1000 მცხ.) და 53 ლეპროზორიუმი. მოსახლეობას ამბულატორიულ დახმარებას უწევდა საავადმყოფოს 463 პოლიკლინიკური განყ-ბა, 7,4 ათ. პოლიკლინიკა და 9 ჯანმრთელობის ცენტრი. 1967 მუშაობდა 3,9 ათ. ექიმი (1 ექიმი 28 ათ. მცხოვრებზე), 0,7 ათ. კბილის ექიმი, 0,8 ათ. ფარმაცევტი და მათი თანამშრომელი, 1

ათ-მდე სამ. სამედ. მედმუშაკი. ექიმებს ამზადებს 17 სამედ. სკოლა; ბებია ქალებსა და მათ თანაშემწეებს — 85 სკოლა. 1963 სსრკ-მა ი-ის ხალხს ჯაკარტაში საჩუქრად გადასცა 200-საწოლიანი ჰოსპიტალი პოლიკლინიკით.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1950 ი-ში მიიღეს კანონი საერთო განათლების შესახებ. გათვალისწინებული იყო სავალდებულო 6-წლიანი დაწყებითი განათლების შემოღება, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვების თითქმის ნახევარს არ ჰქონდა სწავლის საშუალება. საბავშვო ბაღები ძირითადად კერძოა. სახელმწ. და კერძო დაწყ. სკოლები 6-წლიანი და ორსაფეხურიანია (3+3). პირველ საფეხურზე სწავლა მშობლიურ ენაზეა, მეორეზე საერთო სახელმწ. ინდონეზ. ენაზე. საშ. სკოლაც ორსაფეხურიანია და მისი დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. 1976 საბავშვო ბაღებში იყო 350 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი, დაწყ. სკოლებში — 12 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, საშ. სკოლაში — 1,5 მლნ-მდე. პროფტექ. განათლებას იძლევა 2—4-წლიანი პროფ., კომერც. და მეოჯახეობის სკოლები დაწყ. და საშ. I საფეხურის სკოლების ბაზაზე. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს 3-წლიანი პედ. სკოლები, I საფეხურის საშ. სკოლის მასწავლებლებს — 4-წლიანი პედ. კოლეჯები, II საფეხურის საშ. სკოლის მასწავლებლებს — უნ-ტები. 1976 პროფმომზადების სკოლებში სწავლობდა 350 ათ-ზე მეტი მოსწავლე, პედ. სასწავლებლებში — 110 ათ-ზე მეტი. 1976 ი-ში იყო 40-მდე სახელმწ. უმაღლესი სასწავლებელი, 124 — კერძო, აგრეთვე საუწყებო უმაღლესი სასწავლებელი. დიდი სახელმწ. უმაღლესი სასწავლებლებია: ი-ის უნ-ტი ჯაკარტაში, ჰაჯა მადას უნ-ტი ჯოკიაკარტაში, პაჯაჯარანის უნ-ტი და ტექნოლ. ინ-ტი ბანდუნგში.

სამეცნ. მუშაობის კოორდინაციისათვის 1956 ი-ში შეიქმნა ი-ის სამეცნ. საბჭო, 1962 კი — სამეცნ. გამოკვლევათა სამინისტრო. შემდგომ ეს დაწესებულებები შეერთდა და შეიქმნა ი-ის სამეცნ. გამოკვლევათა ინ-ტი. მის გამგებლობაშია ტექ., საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული სამეცნ.-კვლ. და მრავალი სხვა ინ-ტი. 1958 შეიქმნა ატომური ენერგიის ეროვნ. სააგენტო. სამეცნ.-კვლ. მუშაობას ეწევა აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები.

ი-ის დიდი ბ-კებია: საბუნებისმეტყველო მეცნ. ცენტრ. ბ-კა ბოგორში (1842; 300 ათ. ტ.) და ი-ის კულტ. მუზეუმის ბ-კა ჯაკარტაში (350 ათ. ტ.). ი-ის კულტ. მუზეუმს (ჯაკარტა, 1778) აქვს ეთნოგრ., არქეოლ. და სხვ. კოლექციები.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1978 ი-ში გამოდიოდა 160-მდე ჟურნალ-გაზეთი, მ. შ. მნიშვნელოვანია ყოველდღიური გაზეთები ინდონეზ. ენაზე: „ზერდეკა“ („Merdeka“, 1945-იდან, ტირაჟი 80 ათ. ც.), „ანგკატან ბერსენჯატა“ („Angkatan Bersendjata“, 1965-იდან, ტირაჟი 100 ათ. ც.), „კომპასი“ („Kompas“, 1965-იდან, ტირაჟი 239 ათ. ც.), „სინარ ჰარაპანი“ („Sinar Harapan“, 1961-იდან, ტირაჟი 110 ათ. ც.), აგრეთვე „ინდონეზია ტაიმზი“ („Indonesia Times“, 1974-იდან, ინგლ. ენაზე) და სხვ. ი-ის ეროვნ. საინფორმაციო სააგენტო „ანტარა“, დაარსდა 1937 ჯაკარტაში.

რადიომაუწყებლობის პირველი ორგანიზაცია (1934) დააარსეს ჰოლანდიელებმა. 1945 შეიქმნა ოფიც. სახელმწ. სამსაბური — ი-ის რესპ. რადიო.

საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის „ინდონეზიის ხმის“ რადიოგადაცემები მიმდინარეობს არაბ., ჩინ., ინგლ., ფრანგ., ჰინდი, ურდუ და სხვ. ენებზე. ტელევიზია მუშაობს 1962-იდან.

XII. ლიტერატურა

ი-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დამწერლობის უძველესი ძეგლები VII—VIII სს-ით თარიღდება. ესენია ძვ. მალაიურ და ძვ. იავურ ენებზე იხდ. შრიფტის ადგილ. ვარიანტით ქვაზე შესრულებული წარწერები. წარსულში შედარებით მაღალ საფეხურზე იდგა იავის ლიტ-რა. ინდ. მეტრიკის სისტემის საფუძველზე დაიწერა პოემები „რამაიანა“ (IX ს.), „არჯუნას ქორწილი“ (XI ს.) და სხვ. XIV—XVII სს-ში იაველმა მწერლებმა შექმნეს საკუთარი მითოლოგიითა და ისტორიით შთაგონებული ნაწარმოებები. XV ს-იდან იავაზე და ბალიზე დამკვიდრდა ახ. მეტრიკული სისტემა და ფოლკლორთან დაკავშირებული ახ. პოეტური ფორმები. XVI—XVII სს-ში შეიქმნა სუნდებისა და მადურელების ლიტ-რა. ბუგებმა და მაკასარებმა (კ. სულაველი) შექმნეს ისტ. და დიდაქტ. ხასიათის ნაწარმოებები. XVI ს-ში ზღვისპირა ქ-ებში ლიტ-რა უფრო მეტად მალაიურ ენაზე იწერებოდა (იხ. აგრეთვე *მალაიზია, ლიტერატურა*). ამ ენაზე შეიქმნა „პასეელი რაჯების ამბავი“ (აღმ. სუმატრა, XV ს.), „ამბავი ჰასანუდინისა“ (დას. იავა, XVII ს.), „მაკასარის ომის პოემა“ (მაკასარი, XVII ს.) და სხვ. აჩეს სასულთნოში XVI—XVII სს-ში მოღვაწეობდნენ დიდი მალაიელი სუფი პოეტი ჰამზაჰ ფანსური, ნურუდინ ალ-რანირი და აბდულ-რაუფი. მალაიური ენის გავლენის შესუსტების პერიოდში (XVIII ს.) აჩეში ძირითადი გახდა აჩეური ენა, ამ ენაზე შეიქმნა გარითმული პროზით დაწერილი პოემები.

XVIIIს.—XIX ს. I ნახევარში შეინიშნება იავური ლიტ-რის აღორძინება. უკანასკნელი იაველი კლასიკოსის რონგოვარსიტოს (1802—74) და სხვ. შემოქმედებაში იგრძნობა ახ. დროის ევრ. კულტ. იდეების გავლენა. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის განვითარებამ მალაიური ენა მთელი ქვეყნის პოლიტ. და კულტ. ერთიანობის ენად აქცია. შეიქმნა რომანები ინდონეზ. ენაზე (პროლეტ. მწერლები მარკო კარტოდიკრომო და სემაუნი). 20—30-იან წლებში გავრცელდა ყოფითი „ადათური რომანი“. პატრ. თემატიკა ჭარბობს რუსთამ ეფენდის, მოჰამად იამინის შემოქმედებაში. დახვეწილი ლირიკოსის ამირ ჰამზაჰის (1911—46) შემოქმედებას სუფიზმის გავლენა ეტყობა. კოლონ. ჩაგვრამ განაპირობა მამხილებელი ნაწარმოებების შექმნა (აბდულ მუისის რომანი „არასწორი აღზრდა“, ასმარ ჰადის პოეზია და სხვ.). 30-იან წლებში მომძლავრდა რეალისტური ტენდენციები [არმაინ პანეს (1908—70) რომანი „ბორკილები“ და სხვ.]. დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდის ე. წ. „45 წლის თაობის“ წარმომადგენლები არიან: პოეტი ხაირილ ანვარი, მწერალი ახდიატ კარტამიხარჯი (ფილოს. და სოც.. რომანი „ათეისტი“) და სხვ. 50-იან წლებში მწერლებისა და დრამატურგების პროგრ. ნაწილი დაუახლოვდა „სახალხო კულტურულ საზოგადოებას“ (ლეკრა), ნაწილი კი ვიწრო პირადულ პრობლემათა ასახვით შემოიფარგლა. ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. 1965 ამბებს მოჰყვა პროგრ. მწერლობის დევნა. ამის მიუხედავად, მაინც იგრძნობა დაინტერესება მწვავე სოც. პრობლემებით (ვ. ს. რენდრა, დ. 1935; რ. კარტახადიმაჯი, დ. 1927; მ. ბუშე და სხვ.). ეგზისტენციალიზმის გავლენა შეიმჩნევა 60-იან წლებში გამოქვეყნებულ ი. სიმატუპანგის (1928—70) რომანებში.

ლიტ.: Сикорский В., Индонезийская литература. Краткий очерк, М., 1965.

სცენა „რამაიანიდან“. შივას ტაძრის ბალუსტრადის რელიეფი. ლარა ჯონგრანგის კომპლექსი. პრამბანანი. IX—X სს.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

მეზოლითის ეპოქას (ძვ. წ. VII—V ათასწლ.) მიეკუთვნება სამხრ. სულაველის, დას. იავის, სუმატრის, მცირე ზონდის კ-ების გამოქვაბულებში ნაპოვნი ცხოველთა გამოსახულებანი, დას. ირიანის კლდის მხატვრობა, ნეოლითის ეპოქას (ძვ. წ. V ათასწლ. დასასრულიდან, ი-ის ზოგ რ-ნში გრძელდებოდა XX ს-მდე) — ამოჭრილი ორნამენტით შემკული კერამიკა. გვიანდ. ნეოლითის ეპოქასა და ლითონის ხანის დასაწყისში (ძვ. წ. II ათასწლ. — I ათასწლ. შუა ხანები) იქმნებოდა მეგალითური ნაგებობანი — მენჰირები, დოლმენები, აკლდამები (პასემახის კომპლექსი სუმატრის სამხრ-ით). ძვ. წ. I ათასწლ. შუახანებში აზიის მატერიკიდან შეაღწია განვითარებული ბრინჯაოს კულტურამ (სარიტუალო დოლები, ცულები).

ახ. წ. პირველ საუკუნეებში იავაზე (რ-ის კულტურა ძველთაგანვე წამყვანი იყო) ყალიბდება სახელმწ. წარმონაქმნები, სადაც ინდოეთის გავლენით გავრცელდა ინდუიზმი და ბუდიზმი. ინდ. და ადგილ. ტრადიციები გადაიზარდა ი-ის კლასიკურ ხელოვნებაში. მაგ., დიენგის პლატოზე (ცენტრ. იავა) აღმართული ანდეზიტით მშრალად ნაწყობი, VII ს.—VIII ს. დასაწყ. მცირე ზომის ინდუისტური ტაძრები — „ჩანდიები“. არქიტექტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქანდაკება. იავას ყველაზე გრანდიოზული და რთული ნაგებობაა *ბოროობუდური*.

VIII ს. I ნახევარში დაარსებული მატარამის სახელმწიფოს ოფიც. რელიგიად იქცა ინდუიზმი. ინდუისტური სატაძრო კომპლექსი ლარა ჯონგრანგი პრამბანანში (IX ს დასასრ. — X ს დასაწყ.) აერთიანებს 3 დიდ ტაძარსა და 5 მცირე სამლოცველოს. მოხდენილი, ზეატყორცნილი (47 *მ* სიმაღლის) შივას ტაძარი გამოირჩევა მდიდრული დეკორით, რელიეფები შესრულებულია „რამაიანას“ თემებზე.

სინგასარის (XIII ს.) და მაჯაპაჰიტის (XIII ს. დასასრ.—XVI ს. დასაწყ.) სახელმწიფოებთანაა დაკავშირებული აღმ. იავის ხელოვნ. აყვავება (პანატარანის სატაძრო კომპლექსი, XIV ს. — XV ს. I ნახ.). ამ პერიოდის ტაძრები კ. ბალიზე უხვადაა შემკული ორნამენტებით, ქანდაკებებით.

ბუდას თავი. ბოროობუდური, დაახლ. 800, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ლენინგრადი.

საავტომობილო გზა კ. სუმატრაზე.

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის პრინციპები

I — მაისი 1920, სემარანგი
II — ივნ. 1924, ჯაკარტა
III — დეკ. 1924, კოტაგედე (ჯოკიაკარტის ახლოს)
IV — იანვ. 1947, სოლო
V — მარტი 1954, ჯაკარტა
VI — სექტ. 1959, ჯაკარტა
VII — აპრ. 1962, ჯაკარტა.

XVI ს-იდან, როდესაც ი. მუსლ. ფეოდ. სამთავროებად დაქუცმაცდა, ინდუისტური კულტ. ტრადიციები დაეცა (შემოინახა კ. ბალიზე, სადაც ისლამმა ვერ შეაღწია). ი-ში ფართოდ იყო გავრცელებული დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნება. ცენტრ. იავის ძვ. სამხატვრო კერები განთქმული იყო ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით (შემოინახა XIV—XV სს. ნიმუშები). ი. ბატიკის (ქსოვილების მოხატვის ტექნიკა) სამშობლოა. არქიპელაგის ყველა კუნძულზე მისდევდნენ ბამბუკისა და ქოქოსის პალმის ფოთლებიდან მარაოების, ჭილოფების, ქუდების, ჩანთების წვნის ხელობას, ფეიქრობას და სხვ. ხისა და ბამბუკისაგან აშენებდნენ ქოხებს (დას. ირიანი, კ. ტიმორი), მსუბუქ, კარკასულ, ხიმინჯებიან საცხოვრებლებსა და დიდ სათემო სახლებს.

ჰოლანდ. გაბატონების შემდეგ ქ-ები შენდებოდა ევრ. სტილით. XX ს-ში ჯაკარტაში, ბანდუნგსა და სხვა ქ-ებში დაიწყეს დიდი შენობების აგება რკინაბეტონით. XIX ს. შუა ხანებში ჩაისახა რეალისტური ფერწერა (რადენ სალეპი). XIX—XX სს. მიჯნაზე გაჩნდა რომანტ. ეროვნ. პეიზაჟი (ს. ს. აბდულაჰი). განვითარდა პროგრ. ეროვნ. რეალისტური ხელოვნება. 1937—38 დაარსდა ი-ის მხატვართა გაერთიანება (მხატვრები — ს. სუჯოიონო, ა. ჯაია, კ. აფანდი და სხვ.), რ-იც დამოუკიდებლობის შემდეგ (1945), რომანტ. ეგზოტიკის ეროვნ. ტრადიციებთან და მოდერნიზმთან ერთად, წამყვან მიმართულებად იქცა. განვითარდა რეალისტური ქანდაკება (გ. ჰენდრა) და გრაფიკა (უ. ეფენდი). დაიწყო ახ. ქ-ების მშენებლობა (ჯაკარტის ქალაქი-თანამგზავრი კუბაიორანი). საბჭ. სპეციალისტების დახმარებით აშენდა საზ., სამრეწვ., სპორტ. ნაგებობანი. 1965 მომხდარი ამბების შედეგად პროგრ. სამხატვრო ორგანიზაციები გაანადგურეს. უპირატესობა მიენიჭა მოდერნისტულ მიმართულებებს.

ლიტ.: **Дёмин Л. М., Искусство Индонезии, М., 1965; Прокофьев О., Искусство Юго-Восточной Азии, М., 1967.**

XIV. მუსიკა

უძველესი ისტორიისა და ტრადიციების მალალპროფესიულმა ი-ის მუსიკამ განვითარების უმაღლეს დონეს კ. იავაზე ჯერ კიდევ I—II ათასწლეულების მიჯნაზე მიაღწია. მისი სათავეები ხალხ. ყოფასა და ხელოვნების სხვადასხვა სახეებში — მრავალფეროვან ცეკვებში, თეატრ. სანახაობებში (სახ. დღესასწაულები, საკულტო ცერემონიალები) უნდა ვეძიოთ. ი-ის მუსიკისათვის დამახასიათებელია ფართოდ განვითარებული ჰეტეროფონია და მრავალხმიანობა. ხალხ. საკრავებია: დასარტყმელი გენდანგი, სხვადასხვა სახის გონგები, სასულე — ფლეიტის მაგვარი სულინგი. ი-ის კლასიკური მუს. ხელოვნ. მაღალ დონეზე მეტყველებს უძველესი წარმოშობის ხალხ. საკრავების ორკესტრი — გამელანი. ი-ის მუსიკაში ძველთაგანვე ზეპირი ტრადიცია იყო გაბატონებული, ზოგჯერ *ნევმებით* ჩაწერის შემთხვევებიცაა დადასტურებული. ამჟამად იხმარება ევრ. ნოტაცია. ი-ის თანამედროვე მუს. კულტურის კერებია მუს. წრეები (სეკა). ეროვნ. განმათ. მოძრაობის გავლენით წარმოიშვა ახ. მუს. ჟანრები (საპროტესტო სიმღერები და სხვ.). თანამედროვე ინდონეზ. მუსიკოსები არიან: კ. სიმანჯუტაკი, ა. პასარიბუ, სუჯასმინა და სხვ. 1960 ქ. სურაკარტაში დაარსდა კონსერვატორია — ინდონეზ. კლასიკური მუსიკის სკოლა, 1968 ჯაკარტაში — სიმფ. ორკესტრი, რ-იც უმთავრესად ევრ. მუსიკას ასრულებს.

XV. თეატრი

ინდონეზ. ხალხ. თეატრ. ხელოვნება უძველეს ხანაში სახალხო საკულტო დღესასწაულებზე ჩაისახა. ტრად. თეატრ. ფორმებია: „ვაიანგ-ტოპენგი" (ვაიანგი—თეატრი, წარმოდგენა; ტოპენგი — ნიღაბი), სადაც მსახიობები ნიღბებით გამოდიან და პანტომიმის ხერხებს იყენებენ (მოხსენებულია IX ს. ქრონიკებში); „ვაიანგ-პურვა" (ჩრდილების თეატრი, მოხსენებულია XI ს. ლიტ. ძეგლებში); „ვაიანგ-კელიტიკი" (ხის ბრტყელი მარიონეტების თეატრი) და სხვ. წარმოდგენები მიდის ორკესტრ გამელანის თანხლებით. იდგმება ეპიზოდები „რამაიანადან" და „მაჰაბჰარატადან".

ტრად. თეატრის პარალელურად შეიქმნა თანამედროვე თეატრები — კეტოპრაკი და ლუდრუკი. ჯაკარტაში 2 სათეატრო შენობაა: „ოტელ ინდონეზია" და „კეჩია", სადაც გამოდიან სხვადასხვა პროფ. თეატრ. დასები.

50-იან წლებში ი-ში მუშაობა დაიწყო ეროვნ. თეატრ. აკადემიამ და „ლემბაგა დრამა ინდონეზიამ" (ეროვნ. დრამის განყ-ბა). 1965 შემდეგ თეატრის პროგრ. მოღვაწეებს დევნიან. ზოგიერთი თეატრ. დასი დაიშალა. თანამედროვე პროგრ. დრამატურგთა ნაწარმოებების დადგმა აკრძალულია.

XVI. კინო

პირველი ფილმები ი-ში 20-იან წლებში გადაიღეს ჰოლივუდის რეჟისორებმა. ი-ის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ფილმებიდან გამოირჩევა: „პარეხი" (1935, რეჟ. მ. ფრანკენი) და „ნათელი მთვარე" (1937, რეჟ. ა. ბალინკი). 1950 ჯაკარტაში შეიქმნა პირველი სახელმწ. კინოფირმა „პფნ", დიდი კერძო კინოფირმა „პერფინი", გაიზარდა მხატვრული ფილმების რაოდენობა. 1965 შემდგომი რეპრესიები შეეხო კინოს მოღვაწეებსაც. 60-იანი წლების ბოლოს ეროვნ. კინემატოგრაფია კვლავ გაიზარდა. მხატვრული ფილმებიდან აღსანიშნავია „შვიდი რაინდი" (1969, რეჟ. ვიმ უმბოხი), „მოუშორებელი ცოდვა" (1971, რეჟ. ტურინო ჯუნაიდი), „რას ეძებ, პალუპა?" (1971, რეჟ. ასრულ ხანი) და სხვ. კინოს გამოჩენილი მსახიობები არიან: ჩიტრა დეეი, რიმა მელატი, ფარიდა არიანი, მილა ჯარმილა, ბამბანგ ხერმანტო და სხვ. ი-ში წელიწადში უშვებენ 20-ზე მეტ მხატვრულ ფილმს.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 192.

ინდონეზიელები (orang-orang Indonesia), ინდონეზიის რესპუბლიკის მოსახლეობის საკუთარი სახელწოდება. მოსახლეობის 96%-ს საკუთრივ ი. შეადგენენ. ლაპარაკობენ მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახში შემავალ სხვადასხვა ენაზე. ანთროპოლოგიურად სამხრ. მონღოლოიდურ მცირე რასას განეკუთვნებიან. ფართო გაგებით ი-ს უწოდებენ რესპ. ყველა მოქალაქეს, როგორც საკუთრივ ი-ს, ისე არაინდონეზ. ენებზე მოლაპარაკე ჩრდ. ჰალმაჰერელებს, პაპუასებს, ინდონეზ. ჩინელებსა და სხვ. მეცნიერები ზოგჯერ ამავე ტერმინით იხსენიებენ ინდონეზ. ჯგუფის ენებზე მოლაპარაკე ყველა ხალხს, მ. შ. ინდონეზ. გარეთ მცხოვრებთაც. ი-ის რაოდ. რესპუბლიკაში 125 მლნ. (1974, შეფასება). ინდონეზ. ხალხთა საერთო რაოდენობა 150 მლნ-მდე აღწევს. ენები და დიალექტები 1000-ზე მეტია. რესპ. მოსახლ. 90%-ს შეადგენს 13 მრავალრიცხოვანი ხალხი (თითოეული მლნ-ზე მეტია). ი-ის უმრავლესობა (84%) მუსლიმანია, არიან ქრისტიანები, ინდუიზმის, ბუდიზმის, კონფუციანელობის მიმდევრები. საკუთრივ ი-ის ფორმირებაში მონაწილეობდა რამდენიმე ეთნ. კომპონენტი, რ-ებიც თავის მხრივ ეკუთვნოდა სამხრ. მონღოლოიდურ რასას, ეკვადორული (ნეგროავსტრალიური) რასის მელანეზიურ და ვედურ ანთროპოლოგიურ ტიპებს და ნაწილობრივ ევროპეოიდებს. სამხრ. მონღოლოიდები არქიპელაგზე მატერიკის სამხრ.-აღმ. რ-ნებიდან გადმოსახლდნენ. კუნძულებზე მათ დახვდათ ძვ. ვედური და მელანეზიური მოსახლეობა. ხანგრძლივი შინაგანი და საგარეო მიგრაციების შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე ინდონეზიის ეთნ. სახე.

ინდონეზ. ხალხები სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარების სხვადასხვა დონეზე არიან. ზოგ ხალხში (იაველები, სუნდები, ინდონეზიის მალაიელები, ბუგები, მაკასარები, აგრეთვე ზადურელები, ბანჯარები და სხვ.) ვითარდება კაპიტალ. ურთიერთობა, ზოგში კი (სასაკები, დაიაკები, ტორაჯები, ნიასები და სხვ.) შემონახულია გაროვნ.-თემური ყოფის ძლიერი გადმონაშთები. ზოგიერთ ტომში (პაპუასები, კუბუ, აკიტები და სხვ.) დაცულია პირველყოფილი წყობის ნიშნები. XIX—XX სს. მიჯნაზე იწყება თანამედროვე ერების ჩამოყალიბება. სახელმწ. ენა გახდა ინდონეზიური (წარმოშობით, მალაიური). ი-ის თვითმყოფი და მრავალფეროვანი კულტურა ვითარდებოდა როგორც საკუთარი გზით, ისე უცხოეთის გავლენით (ინდური, არაბული, ჩინური, ევროპული).

ლიტ.: **Народы Юго-Восточной Азии, М., 1966.**

ინდონეზიის კომუნისტური პარტია (ИКП; Partai Komunis Indonesia), შეიქმნა 1920 წ. 23 მაისს 1914 იავაზე აღმოცენებული ს.-დ. გაერთიანების ბაზაზე. პირველ ხანებში მის საქმიანობას სერიოზული ზიანი მიაყენა მემარცხენე გადახრამ, კერძოდ, კომუნისტების მიერ იმ დროისათვის მცდარი — საბჭ. ხელისუფლების დამყარების ლოზუნგის წამოყენებამ. კომინტერნის (შეკიდა 1920) დახმარებით იკპ თანდათან ასწორებდა შეცდომებს, ეუფლებოდა მარქსიზტულ-ლენინურ თეორიას, რევ. სტრატეგიასა და ტაქტიკას. გაძლიერდა იკპ-ის როლი ინდონეზიის ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლაში. 1926—27 იგი მეთაურობდა სახ. აჯანყებას ჰოლანდ. კოლონიზატორების წინააღმდეგ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იკპ კანონგარეშე გამოაცხადეს და მის წინააღმდეგ სისხლიანი ტერორი გაუჩაღეს. იაპ. ოკუპაციის წლებში (1942—45) იკპ იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში განაგრძობდა ბრძოლას.

რესპ. გამოცხადების შემდეგ იკპ აქტიურად მონაწილეობდა ახ. ცხოვრების მშენებლობაში. 1945—47 მისი წარმომადგენლები რესპ. მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ. 1948 პარტიის კონფერენციაზე მიიღეს საპროგრამო დოკუმენტი „ინდონეზიის რესპუბლიკის ახალი გზა". კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ინდონეზ. მუშათა და სოციალ. პარტიების იკპ-თან ოფიც. შეერთების შესახებ. 1948 სექტ. ქ. მადიუნის რ-ნში (აღმ. იავაზე) მომხდარი ამბების შედეგად იკპ-მ სერიოზული დანაკლისი განიცადა. დაიღუპა პარტიის ბევრი ლიდერი (მ. მუსო, ა. შარიფუდინი) და აქტივისტი. 1951-იდან იკპ კვლავ ლეგალურ მოღვაწეობაზე გადავიდა. მას სათავეში ჩაუდგა დ. ნ. აიდიტი. იკპ-ის V ფრილობამ (1954) კურსი აიღო მასობრივი პარტიისა და ქვეყნის ყველა პატრ. ძალის მონაწილეობით ერთიანი ეროვნ. ფრონტის შექმნისაკენ. პარლამენტის 1955 არჩევნებში მან 6 მლნ-ზე მეტი ხმა შეაგროვა, ხოლო 1958 ადგილ. ორგანოების არჩევნებში — 8 მლნ-ზე მეტი. იკპ-ის VI ფრილობამ (1959) აღნიშნა, რომ პარტიის ძირეული ამოცანაა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საფუძველზე მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სახ. დემოკრ. მთავრობის შექმნა, რ-იც ერთიანი ეროვნ ფრონტის მთავრობა იქნება.

60-იანი წლებიდან იკპ-ის საქმიანობაში თავი იჩინა არაჯანსაღმა ტენდენციებმა. მაოიზმის ზეგავლენით გადაუხვია მარქსიზმ-ლენინიზმის რიგ პრინციპებს. პარტიაში მოზღვავდა წვრილბურჟ. ელემენტები, რასაც მოჰყვა წვრილბურჟ. იდეოლოგიის გავლენის გაძლიერება. პარტიის ხელმძღვანელობამ უკრიტიკოდ მიიღო ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს ყველა ღონისძიება, მხარი დაუჭირა მის

ინდონეზეთი


ბაკბოს ყურის სანაპირო.

მთები მდ. სონგის აუზში.

მდ. მეკონგის ქვემოთი. პნომპენის მიდამოები.

ნციას „მართული დემოკრატიის“ შე-
ებ, შეასუსტა ინტერნაც. კავშირი სკკპ-
ს და სხვ. მოძმე კომპარტიებთან.
1965 წ. 30 სექტ. ამბების შემდეგ იკპ
ნადგურა რეაქციამ — მან დაკარგა თა-
ი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნა-
ლი და თითქმის მთელი ხელმძღვანელი
ორები. 1966 მარტში იკპ კანონგარეშედ
ოაცხადეს მძიმე პირობებში მოუშუავე
ახლებული იკპ-ის მარქსისტულ-ლენინუ-
ხელმძღვანელობა ბოლო წლებში ენერ-
ულად იბრძვის დაქსაქსული და განად-
რებული ორგანიზაციების აღსადგენად.
ბაკქვეშეთში გამოვიდა მარქსისტულ-
ნინური დოკუმენტები: „ინდონეზიის რე-
ლუციის სწორი გზისათვის“ (1967) და
ინდონეზიის კომუნისტური მოძრაობის
რსებო ამოცანები“ (1969). იკპ-ის წარ-
ადგენლები მონაწილეობდნენ სკკპ XXV
ილობის მუშაობაში. *ვ. დონაძე.*

ინდონეზიური ენები, ავსტრონეზიური
ალაიურ-პოლინეზიური) ენების ერთ-
ი შტო. გავრცელებულია ფილიპინებ-
, ტაივანზე, დიდი და მცირე ზონდის
ბზე, მოლუკის კ-ეშსა და მალაკის ნ.-კ-
, სამხრ. ვიეტნამის ზოგ რ-ნში და კ.
ვაგასკარზე. ი. ე-ში გაერთიანებულია
ონეზიური (ინდონეზ. სახელმწ. ენა),
ალაიური (მალაიზიის ფედერაციის სა-
ემწ. ენა), იავური (კ. იავა), სუნდანუ-
(კ. იავის სამხრ.-დას. ნაწილში), ტაგა-
ური (ფილიპინის რესპ. სახელმწ. ენა),
ალაგასური (მალაგასის რესპ. ხახელმწ.
). ტიპოლოგიურად ი. ე. იზოლირებუ-
ენებია. მეტყველების ნაწილები სუს-
ად დიფერენცირებულია. ლექსიკის ძი-
თადი ნაწილი ი. ე-თვის საერთოა. ი.
ე არსებობს მხატვრული ლიტ-რა. დამ-
ლობა ლათ. გრაფიკას ეფუძნება.

ინდიანიზიური ოლქი, მსოფლიო
ანის ზოოგეოგრაფიული ოლქი, რ-იც
�ავს ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებს;
ე-ით აღწევს არქტიკული ოლქის სამხრ.
ზღვრამდე, ხოლო სამხრ-ით — ანტარქ-
ტიკულ ოლქამდე. ი. ო-ში ძუძუმწოვ-
ნიდან გვხვდება ლურჯი ვეშაპი, კაშა-
ალოტი, დელფინი, ზღვის ლომი, ზღვის
ბა. ზოგ ადგილას ბინადრობს დიუგო-
ფრინველებიდან აღსანიშნავია ალბა-
ოსი, ქარიშხალა, თოლია, ფაეტონი
სხვ., ქვეწარმავლებიდან — პელამიდა,
ავიანი კუ, რ-ის წონა 600 *კგ* აღწევს.
ბზებიდან აღსანიშნავია ზვიგენი, ზღარბ-
ბი, ლატიმერია (რ-იც მიაჩნდათ და-
ინებით 50—60 მლნ. წლის წინათ ამომ-
დარად), თევზი — მარტორქა და სხვ.
ველად არიან აპენდიკულარიები, სალ-
ი, პიროზომები, ლრუბლები, მარჯნის
ლიპები, მოლუსკები (ტრიდაქნა, ნაუ-
ლუსი და სხვ.), კანეკლიანები (ჰოლო-
რიები, ზღვის ზღარბები, ზღვის ვარ-
ლავები, გველვარსკვლავები და სხვ.),
პალოლო, კიბოსნაირნი და სხვ.
ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., ზოოგეო-
ფია, გამოც. მე-3, თბ., 1974; Г е п т н е р
Г., Общая зоогеография, М.—Л., 1936.
ა. ჯანაშვილი.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 224.

ინდორი, ი ნ დ ა უ რ ი, ქალაქი ცენტრ.
ოეთში, მადჰია-პრადეშის შტატში, მა-
ის პლატოზე. 573 ათ. მცხ. (1973).
შენელოვანი სატრანსპ. კვანძი (აერო-
ტი) და სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი.
ვითარებულია ბამბასაწმენდი მრეწვე-
ობა. კვების (საფქვავი, ზეთსახდელი),
თონდახამუშ., მანქანათსაშ., ქიმ. მრეწვ.
არმტები. მცენარეთა სამრეწვ. გამოყე-
ის ინტი.

ინდოსამენტი (გერმ. Indossament,
ალ. indossamento < ლათ. in—-ზე
dorsum — ზურგი), გ ა დ ა ც ე მ ი ს
რ წ ე რ ა, წარწერა *თამასუქის, ჩე-
, კონოსამენტის* და ზოგიერთი სხვა
ანი ქაღალდის უკანა მხარეზე, რ-ის
ედვითაც დოკუმენტში აღნიშნული უფ-
ბები ერთი პირისაგან (ინდოსანტისა-
) მეორეს (ინდოსანტს) გადაეცემა. ი.
შეიძლება იყოს სახელობითი, საორდერო
(აღნიშნულია ის პირი, ვისაც გადაეცემა
საბუთი) ან საბლანკო (საწარმდგენლო).
თამასუქისა თუ ჩეკის ი. ინდოსანტს აკის-
რებს ამ დოკუმენტის მიხედვით გადახდის
პასუხისმგებლობას.

ინდოსტანის ნახევარკუნძული, ი ნ-
დ ო ს ტ ა ნ ი, ნახევარკუნძული აზიის სა-
მხრ. ნაწილში. ფართ. დაახლ. 2 მლნ. *კმ²*.
დას-ით აკრავს არაბეთის ზღვა, აღმ-ით
ბენგალის ყურე (ინდოეთის ოკ.). ჩრდ.
საზღვარი პირობითად გადის ინდისა და
განგის დელტებს შორის. ი. ნ-ზე მდება-
რეობს ინდოეთის, პაკისტანისა და ბანგ-
ლადეშის ტერიტორიათა ნაწილი.

ი. ნ-ის დას. სანაპირო (კონკანი და მა-
ლაბარის ნაპირი) ვიწრო ალუვიური დაბ-
ლობია, ბევრია უბე და კლდოვანი კონცხი.
აღმ. სანაპირო (კორომანდელის ნაპირი)
ლაგუნიანი და ბორცვიანი აბრაზიული ვა-
კეა. ი. ნ-ის დიდი ნაწილი *დეკანის ზე-
განს* უჭირავს, რ-ის დას. ამაღლებული
ნაწილი (დასავლეთის გატები) ციცაბო
საფეხურებით ეშვება ინდ. ოკეანისაკენ,
აღმ. ნაწილში კი განლაგებულია სხვადა-
სხვა წარმოშობის ლოდა მასივების ჯგუფი
(აღმოსავლეთის გატები). ი. ნ-ის სამხრ.
ნაწილში მდებარეობს ნილგირის, პალნის,
ანაიმალაის (მთა ანაიმუდი, 2698 *მ*), კა-
რდამონის მთები.

ი. ნ. არქეული გნაისებითა და მეტა-
მორფული გრანიტებით აგებული კამბ-
რიულისწინა ინდ. ბაქნის ნაწილია, რ-იც
ზოგან დაფარულია დანალექი ქანებით.
ი. ნ. მდიდარია წიაღისეულით. არის რკი-
ნის, ქვანახშირის, მანგანუმის, ნავთობის,
გრაფიტის, ოქროს, ალმასისა და ფერადი
ლითონების საბადოები.

ი. ნ-ის ჰავა სუბეკვატორული მუსონუ-
რია. იანვ. საშ. ტემპ-რა 21°C (ჩრდ.),
29°C (სამხრ.); მაისისა 40°C-მდე. ნალე-
ქები ნ.-კ-ის ცენტრ. ნაწილში დაახლ.
700 *მმ* წელიწადში, მთების ქარპირა კალ-
თებზე — 3000 *მმ*-მდე. დას. გატების ქარ-
პირა კალთებზე ნოტიო ტროპ. ტყეებია,
ცენტრ. ნაწილში მუსონური ფოთოლმცვი-
ვანი სავანის ტყე და სავანაა, მდინარე-
თა შესართავებში — მანგროვიანი ტყეები.
ცხოველებიდან გვხვდება ინდური სპილო,
ლომი, გარეული ხარი, ვეფხვი, ავაზა,
მაიმუნები, ქვეწარმავლები, ფრინველები.

ინდოჩინეთი, ნახევარკუნძული სამხრ.-
აღმ. აზიაში. დას-ით ესაზღვრება ბენგა-
ლის ყურე, აღმ-ით — სამხრ. ჩინეთის
ზღვა. ფართ. დაახლ. 2 მლნ. *კმ²*. ი-ის
ნ.-კ-ზე მდებარეობს ტაილანდი, კამპუჩია,
აგრეთვე ბირმის, მალაიზიის, ლაოსისა და
ვიეტ. ტერიტორიათა დიდი ნაწილი, ბანგ-
ლადეშის უკიდურესი აღმ. რ-ნები.

ი-ის ტერიტორიაზე ჩრდ-იდან სამხრ-კენ
გადაჭიმულია *არაკანის მთები,* ტენასერი-
მი (ტანინტაიი) და *ანამის მთები,* რ-ებიც
ერთმანეთისაგან გამოყოფილია ირავადი-
სა და კამბოჯის (კამპუჩიის) ვრცელი
ვაკეებით, *მენამის დაბლობით,* კორატის
პლატოთი და *შანის მთიანეთით.* რელიეფი
უმთავრესად საშუალ- და დაბალმთიანია.
მაქს. სიმაღლეები დამახასიათებელია
ჩრდ.-დას. ნაწილისათვის (მთა ვიქტორია,
3085 *მ*). ი-ის ცენტრ. და სამხრ.-აღმ. ნა-
წილში პალეოზოური და მეზოზოური კონ-
ტინენტური და ზღვიური ნალექებით და-
ფარული ინდოჩინეთის კამბრიულისწინა
შუალედი მასივია. მასივის ძირი აღმ. ნა-
წილში გაშიშვლებულია. დას. და აღმ.
ნაწილებში განვითარებულია პალეოზო-
ური, ადრინდ. მეზოზოური და კაინოზო-
ური ნაოჭა სტრუქტურები. კაინოზოურ
ერაში მომხდარი მძლავრი ეფუზიური
ამონთხევების დროს ჩამოყალიბდა მეკონ-
გის, მენამის, ჰანოისა და სხვ. დეპრესიები.
ი. მდიდარია ნავთობით, არის კალის,
ვოლფრამის (ბირმა, ტაილანდი, მალაი-
ზია), ტყვიის, თუთიის, სპილენძის (ბირ-
მა, ლაოსი), ნიკლის (ბირმა) და ბოქსი-
ტების (მალაიზია) საბადოები.

ინდოჩინეთი. სავანური ლა-
ნდშაფტი მდ. მენამ-ჩაო-
პრაიის ზემოთში.

ი-ის დიდ ნაწილზე სუბეკვატორული
ჰავაა. აქ შეინიშნება ჰაერის ტემპ-რის და
ატმ. ნალექების სეზონური რყევა, ჰაერის
მასების მუსონური ცირკულაცია. ბარში
იანვ. საშ. ტემპ-რა 20—26°C, აპრილის
(ყველაზე ცხელ. თვე) 30—31°C; მთაში,
შესაბამისად, ტემპ-რა ეცემა 15°C-მდე,
ივლისში 24—25°C-მდე. ი-ის ჩრდ. ნაწილ-
ში მთის მწვერვალებზე ზოგჯერ აღინიშ-
ნება. წყინვები და თოვლი. ზაფხულის
სამხრ.-დას. მუსონის გავლენით ატმ.
ნალექების მაქს. — 2500—5000 *მმ* წელი-
წადში — ი-ის დას. სანაპირო რ-ნებსა და
მთის დას. ქარპირა კალთებზე მოდის.
შიგა რ-ნებში ნალექების წლ. ჯამი 1300—
2200 *მმ* და ზოგან 1000 *მმ*-ზე ნაკლებია.
აღმ. სანაპირო რ-ნებში, ჩრდ.-აღმ. მუსონ-
ის გავლენით, ნალექები 2000 *მმ* აღე-
მატება წელიწადში. ი-ის ცენტრ. ნაწილში
მკაფიოდ არის გამოხატული ზამთრის
მშრალი სეზონი. ეკვატორული ჰავის ზო-
ნას (ჩ. გ. 10°-ის სამხრ-ით) ახასიათებს
მუდმივად მაღალი ტემპ-რები (ბარში
25—28°C, მთაში 18—21°C) და უხვი ატმ.
ნალექები (2500—3000 *მმ* წელიწადში).

ი-ის მდინარეთა ქსელი ხშირია. მდი-
ნარეთა უმეტესობა წყალუხვია, მათი დო-
ნეები სეზონურად მერყეობს, წყალდიდო-
ბა მუსონური წვიმების გავლენით ზაფ-
ხულში იცის. დიდი მდინარეები — მეკონ-
გი, სალუინი, ირავადი — ტიბეტის მთია-
ნეთში იწყება, საზრდოობენ თოვლისა
და წვიმის წყლით, შესართავებში ქმნიან
ვრცელ დელტებს.

ი-ის დას. ნაწილის ნოტიო მთიან რ-ნებ-
ში ლატერიტულ და წითელ-მურა ტყის
ნიადაგებზე იზრდება ნოტიო ტროპ. ტყე
(გაბატონებულია პალმა, ფიკუსი, ლერ-
წამი, ხისმაგვარი გვიმრა). ზღვის ნაპი-
რის გასწვრივ ზოგან მანგროვიანი ტყეა.
შიგა რ-ნების მთაში ჭარბობს ფოთოლ-
მცვივანი და მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი
ტყეები და ბუჩქნარი. ჩრდ-ით, 700—800 *მ*
სიმაღლეზე ტროპ. სახეობები სუბტრო-
პიკულით იცვლება (მარადმწვანე მუხა,
წაბლი, ფიჭვი). ვაკეებზე და დახშულ
ქვაბულებში წითელ და წითელ-მურა ნია-
დაგებზე გაბატონებულია დაბალხეებიანი
და ბუჩქნარიანი სავანა. ი-ის ცხოველთა
სამყარო მრავალფეროვანია. გვხვდება მა-
იმუნი (გიბონი, მაკაკი), ინდური სპი-
ლო, ვეფხვი, მარტორქა, ჯიქი, ჰიმალაის
დათვი, მაჩვზღარბი; ფრინველებიდან —
სამოთხის ჩიტი, თუთიყუში, ფარშავანგი,
გარეული ქათამი; ბევრია თევზი, ნიანგი.



ინდოჩინეთი. ბრინჯის ყა-
ნა მდ. მეკონგის დელტაში.

ინდოჩინეთი. მეთევზეთა
სოფელი სპის ტბის ნაპი-
რზე.

ინდოჩინეთი საფრანგეთისა, XIX ს. 80-იანი წლებიდან XX ს. 40-იანი წლების II ნახევრამდე საფრანგეთის იმ კოლონ. სამფლობელოების სახელწოდება, რ-ებიც მდებარეობდა ინდოჩინეთის ნ.-კ-ის აღმ. ნაწილში ვიეტნამის ტერიტ. (ანამისა და ტონკინის პროტექტორატები, კოხინჩინის კოლონია), კამბოჯისა (კამპუჩია) და ლაოსის (XIX ს. 90-იანი წლებიდან) ჩათვლით. 1945 ვიეტნამში დაემხო იმპერიალისტების ბატონობა, 1953 სუვერენული სახელმწიფო გახდა კამბოჯა (კამპუჩია), 1954 — ლაოსი.

ინდოჩინეთის კომუნისტური პარტია, *იხ. ვიეტნამის კომუნისტური პარტია.*

ინდრა, ვედური რელიგიის ერთ-ერთი უზენაესი ღვთაება, მეხისმტყორცნელი, მეომარი ღვთაება, ღვთაებათა მეფე.

ინდრი (Indri indri), ძუძუმწოვარი ცხოველი ნახევრად მაიმუნების ქვერიგისა. სხეულის სიგრძე 60—70 *სმ* აღწევს, კუდისა — 3—6 *სმ*-მდე. გავრცელებულია მადაგასკარზე. ბინადრობს ხეებზე. იკვებება მცენარეულობით. მაკეობა გრძელდება ორ თვემდე. შობს ერთ ნაშიერს.

ინდრი.

ინდრიკოთერიუმები (Indricotheriidae), ოლიგოცენური ეპოქის გიგანტური მარტორქების ოჯახი. ჰქონდათ მოკლე სხეული, წაგრძელებული კისერი, გრძელი სამთითა კიდურები შესამჩნევად რედუცირებული გვერდითი თითებით. ი. ხმელეთის ყველაზე დიდი ზომის ძუძუმწოვრები ვოფილან (სიმაღლე 5 *მ* აღემატებოდა). გავრცელებული იყვნენ აზიაში, სამხრ.-აღმ. ევროპაში. ი-ის ოჯახს ეკუთვნის სამხრ. საქართველოში აღმოჩენილი *ბენარათერიუმი.* *ლ. გაბუნია.*

ინდუიზმი (სანსკრ. ჰინდუმატა, ჰინდუსამაია; თანამედროვე ჰინდუ დჰარმა), მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია. ი-ის მიმდევრები (ინდუისტები ანუ ინდუსები) ცხოვრობენ უმეტესად ინდოეთში (დაახლ. 95%), პაკისტანში, ბანგლადეშში, ნეპალში, შრილანკის რესპუბლიკაში. ი-ის მიმდევრები არიან აგრეთვე სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში, კ. ბალიზე (ინდონეზია), კ. მავრიკიზე, ფიჯის, გაიანის (ყოფ. ბრიტ. გვიანა) კ-ებზე და განსაკუთრებით აფრიკისა და სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნებში და ზოგიერთ სხვა ადგილებში, სადაც ეს რელიგია გაავრცელეს სხვადასხვა დროს ინდოეთიდან გადასახლებულებმა. ინდ. რესპ. კონსტიტუციით ი-ში შეტანილია აგრეთვე *ბუდიზმი, ჯაინიზმი* და *სიქიზმი,* მაგრამ სამეცნ. ინდოლოგიურ ლიტ-რაში მათ, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ რელიგიებად მიიჩნევენ.

ი. სათავეს ძვ. არიელების და ავტოქთონი ინდური ტომების რელიგიების გულუბრყვილო-მითოლ. ნატურალიზმიდან იღებს. მათი სინთეზის საფუძველზე, რ-შიც ძირითადი სტრუქტურული ელემენტები *ვედური რელიგიიდან* მოდიოდა, აღმოცენდა *ბრაჰმანიზმი.* ი-ს კი, ჩვეულებრივ, უწოდებენ ბრაჰმანიზმის იმ ფორმას, რ-იც მან მიიღო ახ. წ. I ათასწლეულში. ამგვარად, ვედური რელიგია, ბრაჰმანიზმი და ი. წარმოადგენს ერთი რელიგ. სისტემის განვითარების ისტ. ეტაპებს, ამასთან, ევოლუციის გვიანდ. საფეხურზე ეს სისტემა ძალიან ბუნდოვანი გახდა და თავის მიმდევრებს აერთიანებს არა იმდენად საერთო იდეურ-თეორ. პრინციპებით, რამდენადაც რელიგიური ქცევისა და აზროვნების სპეციფ. ტიპით. უკვე ძვ. წ. VIII—VI სს-ში გვაროვნ.-ტომობრივი დემოკრატიის ნგრევამ და დაღუპვამ, მმრომელი მასების ექსპლუატაციის გაძლიერებამ და სხვ. ფაქტორებმა წარმოშვეს მრავალი მწვალებლური მოძღვრება და სექტანტური მოძრაობა. ეს მოძღვრებები და სექტები სათნო ცხოვრების მთავარ კრიტერიუმად ვარნული (იხ. *ვარნა*) მითითებების გარეგანი წესჩვეულებებისა და რიტუალების დაცვას კი არ მიიჩნევდნენ, არამედ ყოფიერების შინაგანი აზრისა და არსის წვდომას. ამ პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო უპანიშადების (ვედის ფილოს. კომენტარები), „მაჰაბჰარატასა“ და „რამაიანას“ ეპოსში ფილოს.-ეთიკური ტექსტების, აგრეთვე ბუდიზმისა და ჯაინიზმის მოძღვრებათა წარმოშობა. ამ მოძღვრებებთან და სექტებთან ურთიერთმოქმედებისა და ბრძოლის ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში, რ-იც ძვ. წ. I ათასწლ. II ნახ. მთელ მანძილზე გრძელდებოდა, ბრაჰმანიზმმა შეძლო შეგუებოდა მათ, მოეხდინა მათი ასიმილირება და ადრინდ. შუა საუკუნეებში მიიღო ისეთი ფორმა, რ-საც, ჩვეულებრივ, საკუთრივ ი. ეწოდება.

ახ. წ. I ათასწლ. I ნახევარში ი-ში გამოიყო 2 ძირითადი მიმართულება — შივაიზმი და ვიშნუიზმი. ი-ს საფუძვლად უდევს ხალხური რწმენებისა და ადათ-ჩვეულებების რეალური ყოველდღიური პრაქტიკა, ადგილ. ეთნიკური, ეროვნ. და სოც. პირობების სიჭრელის გამო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ი-ის საკულტო წესების შესრულებას ემსახურება მრავალრიცხოვანი ტაძრები, წმინდა ადგილები (ბევრ მათგანს საერთო ინდური მნიშვნელობა აქვს, მაგ., მდ. განგი ვარანასის რ-ნში), უმთავრესად კი ადგილ. სამლოცველოები. ხელმძღვანელები და მოძღვრები არიან ქურუმები, სოფლის ბრაჰმანები, რელიგ. თემის წინამძღვრები (გურუ), მოხეტიალე მონაზონები და სხვ. ბევრ საკულტო წესს ოჯახის უფროსი ასრულებს საოჯახო საკურთხევლის წინაშე. ინდუისტურმა პოლითეიზმმა შეითვისა ადგილ. ღვთაებანი, როგორც თავისი მთავარი ღვთაებების კერძო გამოვლინებანი. ამით აიხსნება მთავარ ღვთაებათა მრავალსახეობა, მათი მრავალრიცხოვანი სახელები. ამასთანაა დაკავშირებული ავატარის დოქტრინა, როცა კონკრეტული ღმერთები ცხადდებიან *ვიშნუს* და სხვ. მთავარ ღვთაებათა განსახიერებად. ყველა ღვთაებას ჰყავს ცოლი — ქალღმერთი. თავისთავადი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ შივას მეუღლის — დევას (ცნობილია აგრეთვე დურგას, კალის და სხვ. სახელით) — კულტს, რ-იც აგრეთვე ბენგალის ეროვნ. ღვთაებად ითვლება. თანამედროვე ინდოეთში ინდუსების 80% თაყვანსა სცემს ადგილ. ღვთაებებს. ი-ისა და მასში შემავალი ხალხ. რწმენებისათვის დამახასიათებელია ანიმიზმი, წინაპართა თაყვანისცემა, ფეტიშიზმი, კერპთაყვანისმცემლობა, მაგია და ა. შ. ი-ში წმინდად ითვლება მთები, მდინარეები (განსაკუთრებით განგი), მცენარეები (მაგ., ლოტოსი), ცხოველები (მაიმუნი, სპილო, გველი და განსაკუთრებით ძროხა). თაყვანს სცემენ ბუნების მოვლენებს. ინდუსების სოც. ორგანიზაციის ფორმად ითვლება კასტა. ამა თუ იმ კასტისადმი კუთვნილებაზე ბევრად არის დამოკიდებული ინდუსების რელიგ. კულტისა და რწმენის თავისებურებანი. ყველა ინდუსისათვის საერთოა მოძღვრება სულის გარდასახვაზე (სანსარა), რ-ის თანახმად ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული გადასახლდება მცენარის, ცხოველის ან ადამიანის ახ. სხეულში. ინდუსების წარმოდგენით, ამ გარდასახვის სიავკარგე დამოკიდებულია კარმაზე — ჩადენილი საქციელის სამაგიროს მისაგებელზე. უმაღლეს რელიგ. მიზნად ითვლება გარდაქმნის ციკლიდან თავდახსნა — მოქშა. მოქშას მიღწევის გზებისა და საშუალებების დამუშავება-დასაბუთება ი-ის სხვადასხვა რელიგ.-ფილოს. მოძღვრებათა მთავარ შინაარსს წარმოადგენს. ი-ის ფილოს. სკოლებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვედანტის იდეალ. სისტემა, რ-ითაც ყოფიერების საბოლოო დ. უმაღლეს საფუძვლად ცხადდება სულიერ. რეალობა — ბრაჰმანი. კონკრეტული, ე. პირიული სამყარო კი მიჩნეულია არაჭეშმარიტად, მოჩვენებად, ილუზიად (მაია). ამიტომ ცხოვრების ნამდვილი აზრი ამ სულიერი აბსოლუტის მიღწევა-ში, ბრაჰმანთან ინდივიდ. სულის შერწყმაშია (ატმანა). ამ პოზიციიდან ვედანტა ასეჯეშმარიტად მიიჩნევს პრაქტ. რელიგიას, თუმცა აღიარებს მას აბსოლუტთან მიახლოების ერთ-ერთ (დაბალ) საშუალებად. ღვთაებისადმი (ბჰაქტი) ემიციური ერთგულებით და სიყვარულით, ცოდნით, ყოფიერების ჭეშმარიტ პრინციპებზე ფიქრით (ჯნიანა), მისტ. მედიტაციისა და იოგური პრაქტიკის (რაჯა ეოგა) საშუალებით ვედანტები ბოლოს და ბოლოს აღწევენ მოქშას. რელიგ. ფილოსოფიაში წინაა წამოწეული სამების (ტრიმურტი) იდეა (ბრაჰმა, ვიშნუ, შივა) ყველა ინდუსისათვის წმინდა ლიტ-რ-დ ითვლება ვედა (ჰიმნები, ბრაჰმანები, არანიაკები, უპანიშადები), ეპოსი „მაჰაბჰარატა“ განსაკუთრებით მისი ნაწილები „ბჰაგავადგიტა“, და „რამაიანა“, პურანები, დჰარმაშასტრები და სხვ. ი-ის რელიგ. შეხედულებებს ჩამოყალიბების შემდეგ არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილებები, თუ. ცა მის წიაღში შემდეგ აღმოცენდა სხვადასხვა სახის მწვალებლობანი. მიუხედავად მთელი რიგი საყოველთაოდ მიღებულ დოქტრინებისა და ნორმებისა, ი-ს არასოდეს ჰქონია შეხედულებათა მწყობრი სისტემა, უნიფიცირებული დოგმატიკა და კულტი, დაკანონებული „წმიდა წერილები“, ცენტრალიზებული საეკლ. ორგანიზაცია. XIX—XX სს-ში, ინდოეთში ეროვნ. განმათ. მოძრაობის ჩასახვისა და განვითარების პერიოდში, ამ მოძრაობის გამტონებულმა იდეოლოგიამ — ბურჟ. ნაციონალიზმმა — მნიშვნელოვანწილად მიიღო აღორძინებული და რეფორმირებული ი-ის ფორმა (ნეოინდუიზმი), რ-ის მომრეებად გამოდიოდნენ მრავალრიცხოვანი რელიგ. საზ-ბები და ორგანიზაციები (ბრაჰმო სამაჯი, არია სამაჯი და სხვ.). ასევე საზ. მოღვაწეები და მოაზროვნეები: რამოჰან რაი, დ. სარასვატი, რ. თაგორი, მ. კ. განდი და სხვ. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ (1947) ინდოეთში სინდიისის თავისუფლება გამოცხადდა. აიკრძალა რელიგ., კასტურ, ეროვნ. დისკრიმინაცია.

ლიტ.: Барт А., Религии Индии, М., 1897; Ильин Г. Ф., Религии Древней Индии, М., 1959; Пятигорский А. М., Религии Индии, ზგნ.: История Индии в средние века, М., 1968; Sinha J., The foundation of Hinduism, Calcutta, 195. *ო. გაბიძაშვილი*

ინდულგენცია (ლათ. indulgentia — შეწყნარებლობა, შებრალება), კათოლიკურ ეკლესიაში მორწმუნისათვის „ცოდვების“ მთლიანი ან ნაწილობრივი მიტევება, ეკლესიის მიერ „ცოდვების მიტევების“ შესახებ გაცემული მოწმობა. XII—XIII სს-ში კათოლ. ეკლესიამ შემოსავლის გაზრდის მიზნით დაიწყო ი-ებით ვაჭრობა, რამაც შემდგომ პუმანისტების პროტესტი გამოიწვია. ი-ებით ვაჭრობის მოსპობა რეფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო. ი-ების გაყიდვა პაპების მიერ სრულად დღესაც არ მოსპობილა.

ლიტ.: Лозинский С. Г., Папский «департамент покаянных дел», კრ.



ინდრიკოთერიუმები (რეკონსტრუქცია).

Вопросы истории религии и атеизма, т. 2, М., 1954.

ინდური დამწერლობა, სამხრ.-აღმ. აზიის დამწერლობათა დიდი ჯგუფი, რ-თაც ერთიანებს წარმომავლობა და ანბანთა აგების პრინციპები. ინდოეთის, ბანგლადეშის, პაკისტანის, ნეპალისა და შრილანკის გარდა O. დ-ის ნაირსახეობებმა ბუდიზმთან ერთად შეაღწია მეზობელ ს-ნებშიც: ჩრდ-ით — ტიბეტსა და ცენტრ. აზიაში, მონღოლეთამდე, სამხრ-კენ — ბირმაში, ინდოჩინეთის ნ.-კ-ზე, ინდონეზიაში. O. დ-ის ნაირსახეობათა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღწევს.

საკუთრივ ინდოეთში დამწერლობის უძველესი ტიპია ძვ. წ. III—II ათასწლ. მოჰენჯო-დაროს, ჰარაპისა და სხვ. ინდოკლიფური ნიშნები საბეჭდავებზე, რაც დღემდე გაუშიფრავია. უძველესი ამოკვეთილი წერილობითი ძეგლები (ძვ. წ. III ს.) დაწერილია სილაბურით — ბრაჰმით. ბრაჰმიდან მომდინარეობს O. დ-ის ზემდეგდროინდელი განშტოებანი. ბრაჰმის პარალელურად ძვ. წ. III ს-იდან ახ. წ. V ს-მდე, გავრცელებული ყოფილა ქაროშთი, რ-იც თანდათან განდევნა ბრაჰმიმ. ბრაჰმის ადრეულ ძეგლებშივე გამოიყოფა ადგილ. სახესხვაობანი, რ-თა საუძველზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა O. დ-ის 3 ძირითადი შტო: ჩრდ., სამხრ. და სამხრ.-აღმოსავლეთის. ჩრდ.—გუპტა (VI—X სს. ცენტრ. აზია; ენები — სანსკრიტი, საკა, ქუშანური), ტიბეტური (VII ს.), ნაგარი (VII—VIII სს.); მისი მოგვიანო ფორმაა დევანაგარი (ენები—ჰინდი, მარაიული, სანსკრიტი), შარადა (ქ. ქაშმირი, VIII ს.), ნევარი (ნეპალი, XII ს.), ბენგალური (ბენგ., ასამური, აგრეთვე სანსკრიტი, XV ს.); ენები — ორია, გუჯარათული, გურმუქი (XVI ს.). სამხრ.—გრანთა (V—VI სს.), კანადა და ტელუგუ (V ს.), მალაიალური (VIII—IX სს.) და ტამილური (VII ს.). სამხრ.-აღმ. შტოს ეკუთვნის დამწერლობანი, რ-ებიც ვითარდებოდა ინდოეთის ფარგლებს გარეთ: — სინჰალური, ბირმული, ქმერული, ლაოსური, ინდოჩინეთისა და ინდონეზ. ძვ. დამწერლობანი.

ინდური (ინდოარიული) ენები, ინდოეთის ინდოევროპული ენები. ქრონოლოგიურად გამოიყოფა: 1. ძვ. O. (O.) ე. — ვედური (უძველესი ტექსტებია რიგვედის ჰიმნების კრებული. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისს. ცალკეული ძვ. ინდური სიტყვები დადასტურებულია აგრეთვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა წლების წინააზიურ წყაროებში); სანსკრიტი— ძვ. ინდური სალიტ. ენა. ჩამოყალიბდა ძვ. წ. VI ს-ში. იგი დღემდე შემოინახა, როგორც ღვთისმსახურებისა და სწავლულთა ენა. 2. საშ. O. (O.) ე. და დიალექტები ანუ პრაკრიტები. უძველესი ტექსტები განეკუთვნება ძვ. წ. III ს. პრაკრიტების გვიანდ. სტადიაა აპაბჰრანშა; პრაკრიტებისაგან განკერძოებით იდგა პალი — ბუდისტური კანონის ენა (უძველესი ტექსტები ძვ. წ. III საუკუნისაა. გავრცელებული

	დევანაგარი	გუჯარათული	გურმუქი	ბენგალური	ორია	ტამილური	მალაიალამი	სინჰალური	კანადა
cha	छ	છ	ਛ	ছ	ছ		ഛ	ඡ	ಛ
ja	ज	જ	ਜ	জ	জ		ജ	ජ	ಜ
jha	झ,झ	ઝ	ਝ	ঝ	ঝ		ഝ	ඣ	ಝ
ña	ञ	ઞ	ਞ	ঞ	ঞ	ஞ	ഞ	ඤ	ಞ
ṭa	ट	ટ	ਟ	ট	ট	ட	ട	ට	ಟ
ṭha	ठ	ઠ	ਠ	ঠ	ঠ	ட	ഠ	ඨ	ಠ
ḍa	ड	ડ	ਡ	ড	ড		ഡ	ඩ	ಡ
ḍha	ढ	ઢ	ਢ	ঢ	ঢ		ഢ	ඪ	ಢ
ṇa	ण	ણ	ਣ	ণ	ণ	ண	ണ	ණ	ಣ
ta	त	ત	ਤ	ত	ত	த	ത	ත	ತ
tha	थ	થ	ਥ	থ	থ		ഥ	ථ	ಥ
da	द	દ	ਦ	দ	দ		ദ	ද	ದ
dha	ध	ધ	ਧ	ধ	ধ		ധ	ධ	ಧ
na	न	ન	ਨ	ন	ন	ந	ന	න	ನ
pa	प	પ	ਪ	প	প	ப	പ	ප	ಪ
pha	फ	ફ	ਫ	ফ	ফ		ഫ	ඵ	ಫ
ba	ब	બ	ਬ	ব	ব		ബ	බ	ಬ
bha	भ	ભ	ਭ	ভ	ভ		ഭ	භ	ಭ
ma	म	મ	ਮ	ম	ম	ம	മ	ම	ಮ
ya	य	ય	ਯ	য	য	ய	യ	ය	ಯ
ra	र	ર	ਰ	র	র	ர	ര	ර	ರ
la	ल	લ	ਲ	ল	ল	ல	ല	ල	ಲ
va	व	વ	ਵ			வ	വ	ව	ವ
śa	श	શ	ਸ਼	শ	শ	ஶ	ശ	ශ	ಶ
ṣa	ष	ષ		ষ	ষ	ஷ	ഷ	ෂ	ಷ
sa	स	સ	ਸ	স	স	ஸ	സ	ස	ಸ
ha	ह	હ	ਹ	হ	হ	ஹ	ഹ	හ	ಹ
ḷa	ळ	ળ	ਲ਼			ள	ള	ළ	ಳ
ḷa						ழ	ഴ	ළ	ಳ
ṟa						ற	റ	ර	ರ
ṇa						ண	ണ	ණ	ಣ

	დევანაგარი	გუჯარათული	გურმუქი	ბენგალური	ორია	ტამილური	მალაიალამი	სინჰალური	კანადა
a	अ	અ	ਅ	অ	অ	அ	അ	අ	ಅ
ā	आ	આ	ਆ	আ	আ	ஆ	ആ	ආ	ಆ
kā	का	કા	ਕਾ	কা	কা	கா	കാ	කා	ಕಾ
i	इ	ઇ	ਇ	ই	ଇ	இ	ഇ	ඉ	ಇ
ki	कि	કિ	ਕਿ	কি	କି	கி	കി	කි	ಕಿ
ī	ई	ઈ	ਈ	ঈ	ଈ,ୀ	ஈ	ഈ	ඊ	ಈ
kī	की	કી	ਕੀ	কী	କୀ	கீ	കീ	කී	ಕೀ
u	उ	ઉ	ਉ	উ	ଉ	உ	ഉ	උ	ಉ
ku	कु	કુ	ਕੁ	কু	କୁ	கு	കു	කු	ಕು
ū	ऊ	ઊ	ਊ	ঊ	ଊ	ஊ	ഊ	ඌ	ಊ
kū	कू	કૂ	ਕੂ	কূ	କୂ	கூ	കൂ	කූ	ಕೂ
ṛ	ऋ	ઋ	਋	ঋ	ଋ	௰	ഋ	ඍ	ಋ
kṛ	कृ	કૃ	ਕ੍ਰ	কৃ	କୃ		കൃ	කෘ	ಕೃ
e						எ	എ	එ	ಎ
ke						கெ	കെ	කෙ	ಕೆ
ē	ए	એ	ਏ	এ	ଏ	ஏ	ഏ	ඒ	ಏ
kē	के	કે	ਕੇ	কে	କେ	கே	കേ	කේ	ಕೇ
ai	ऐ	ઐ	ਐ	ঐ	ଐ	ஐ	ഐ	ඓ	ಐ
kai	कै	કૈ	ਕੈ	কৈ	କୈ	கை	കൈ	කෛ	ಕೈ
o						ஓ	ഒ	ඔ	ಒ
ko						கொ	കൊ	කො	ಕೊ
ō	ओ	ઓ	ਓ	ও	ଓ	ஓ	ഓ	ඕ	ಓ
kō	को	કો	ਕੋ	কো	କୋ	கோ	കോ	කෝ	ಕೋ
au	औ	ઔ	ਔ	ঔ	ଔ	ஔ	ഔ	ඖ	ಔ
kau	कौ	કૌ	ਕੌ	কৌ	କୌ	கௌ	കൌ	කෞ	ಕೌ
ka	क	ક	ਕ	ক	କ	க	ക	ක	ಕ
kha	ख	ખ	ਖ	খ	ଖ		ഖ	ඛ	ಖ
ga	ग	ગ	ਗ	গ	ଗ		ഗ	ග	ಗ
gha	घ	ઘ	ਘ	ঘ	ଘ		ഘ	ඝ	ಘ
ṅa	ङ	ઙ	ਙ	ঙ	ଙ	ங	ങ	ඞ	ಙ
ca	च	ચ	ਚ	চ	ଚ	ச	ച	ච	ಚ

ინდური დამწერლობის ძირითადი ნაირსახეობანი.



სატელეფონო ინდუქტორი. ნახ. 1. მბრუნაველუზიანი ინდუქტორი: 1—მუდმივი მაგნიტები; 2—პოლუსური ზესადგამები; 3—კონტაქტიანი დენასართმევი ზამბარები.





სატელეფონო ინდუქტორი. ნახ. 2. უმრავლუზიანი ინდუქტორი: ა—საერთო ხედი; ბ—ჭრილი: 1—მრავალპოლუსიანი მბრუნავი მუდმივი მაგნიტი (როტორი); 2—რბილი ფოლადისგან დამზადებული სტატორი; 3—მბრუნავი დისკი; 4—სახელური; 5—სტატორის გრაგნილი.

იყო კ. შრი-ლანკაზე). 3. ახ. O. (O.) ᲛᲐ.— ჰინდუსტანი, რ-საც ორი სალიტ. ფორმა აქვს: ჰინდი — ინდ. სახელმწიფო ენა და ურდუ — პაკისტანის სახელმწ. ენა. ჩამოყალიბდა ახ. წ. X ს-ში; ბენგალი ანუ ბენგალური — ბანგლადეშის სახელმწ. ენა (გავრცელებულია აგრეთვე ინდოეთში, ბენგალის შტატში); პენჯაბური გავრცელებულია ინდ. ჩრდ. რ-ნებში, უპირატესად — პენჯაბის შტატში (სალიტ. ფორმა ჩამოყალიბდა XII ს-ში; უძველესი ტექსტებია სიქების საღვთო წიგნები); სინდჰური (გავრცელებულია სამხრ.-აღმ. პაკისტანისა და ინდ. მომიჯნავე რ-ნებში); გუჯარათული (ჩამოყალიბდა XII ს-ში); ასამური (ჩამოყალიბდა XI—XII სს-ში; გავრცელებულია უპირატესად ასამის შტატში), მარათული (გავრცელებულია მაჰარაშტრის შტატში); ორია (გავრცელებულია ორისის შტატში. უძველესი ტექსტები XI—XII სს. განეკუთვნება); ნეპალური (ნეპალის სახელმწ. ენა. გავრცელებულია ინდოეთშიც); სინჰალური (გავრცელებულია კ. შრი-ლანკაზე); აწინკნური (ანუ ბოშების ენა).

ლიტ.: Зограф Г. А., Языки Индии, Пакистана, Цейлона и Непала, М., 1960.

ᲘᲜᲓᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲘ, ასამის ჩაი (Thea assamica), კულტივირებული ჩაის ერთ-ერთი სახეობა. საკმაოდ მოზრდილი ხემცენარეა. აქვს მეჩხერი ვარჯი, კარგად გამოსახული შტამბი. ფოთოლი ღია მწვანეა, ფართო, ტალღისებრი ზედაპირი და წაწვეტებული წვერი აქვს. ყლორტი მწვანეა. მცენარე ყვავის ადრე გაზაფხულზე, ახასიათებს უწყვეტი ვეგეტაცია, სუსტი იმუნიტეტი, ყლორტები გვიან ხევდება, ნაკლებად ყინვაგამძლეა. ვეგეტატიურად ძნელად მრავლდება, ამონაყარს ფესვის ყელიდან იკეთებს. O. ჩ-ს ჰიბრიდებია ლუშაი, ნაგა-ჰილი, მანიპური, ბურმა, ცეილონისა და სხვ. საქართველოში მანიპურის და ცეილონის ჰიბრიდი ძვირფასი სასელექციო მასალაა. *ნ. გოორგბერიძე.*

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ (ლათ. industria — საქმიანობა), იგივეა, რაც *მრეწველობა.*

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ (< ლათ. industria — საქმიანობა), სახალხო მეურნეობაში, უპირატესად მრეწველობაში, მსხვილი მანქანური წარმოების შექმნის პროცესი. O-ის ხასიათს, ტემპებს, წყაროებს, მიზნებსა და სოც. შედეგებს განსაზღვრავს მოცემულ ქვეყანაში გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობანი.

კაპიტალ. O. გულისხმობს მსხვილი მანქანური წარმოებისა და კაპიტალ. ქვეყნების მატერ.-ტექ. ბაზის შექმნას კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობების ბატონობის პირობებში. *კაპიტალ.* O-ის წანამძღვარია *კაპიტალის თავდაპირველი დაგრეგვება.* როგორც ისტორიამ ცხადყო, კაპიტალ. O. ხანგრძლივი პროცესია, იგი მსუბუქი მრეწვ. განვითარებით იწყება, მისთვის დამახასიათებელია ცალკეული დარგების უთანაბრო განვითარება. *კაპიტალ.* O-ის წყაროებია საკუთარი და კოლონ. ქვეყნების მშრომელთა ექსპლუატაცია, ომში დამარცხებული ქვეყნების ძარცვა. *კაპიტალ.* O. ხორციელდება ბურჟ. ინტერესების შესაბამისად.

სოციალ. O. ნაკარნახევია სახ. მეურნ. ყველა დარგში მსხვილი მანქანური წარმოების, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწვ. შექმნისა და განვითარების საჭიროებით. *კაპიტალ.* O-გან განსხვავებით, იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონ. გეგმაზომიერ განვითარებას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნა-განვითარებას. *სოციალ.* O. მშრომელთა კეთილდღეობის მაქს. გაუმჯობესებას ემსახურება. სოციალიზმის პირობებში O-ის განხორციელების მიზნები, გზები და საშუალებები მეცნიერულად განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა. *საკ.* კპ(ბ) XIV ყრილობამ (1925 დეკ.) აიღო ქვეყნის O-ის კურსი. ეს იყო ეკონ. მშენებლობის გენ. კურსი. ომამდელ ხუთწლედებში პარტიამ ძირითადად უზრუნველყო O-ის განხორციელება. 1940 მრეწვ. მთლიანი პროდუქცია 1928-თან შედარებით გაიზარდა 6,5-ჯერ, მ. შ. წარმოების საშუალებათა წარმოება („ა" ჯგუფი) — 10-ჯერ. მრეწვ. მთლიანი პროდუქციის წარმოებით სსრკ მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე გამოვიდა. იგი აგრარულიდან დამოუკიდებელ, ინდუსტრ. ქვეყნად გადაიქცა.

ლენინური ეროვნ. და ეკონ. პოლიტიკისა და რკპ(ბ) X ყრილობის მიერ დასახული კურსის — სსრკ-ის ეროვნებათა ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის კურსის — განხორციელების შედეგად საბჭ. საქართველოში O. საერთო საკავშ. ტემპზე უფრო მაღალი ტემპით განვითარდა, რამაც უზრუნველყო აგრ. და ეკონომიკურად რუსეთზე უფრო სუსტი რესპ. სამრეწვ. განვითარების თითქმის საერთო-საკავშ. დონემდე წამოწევა. 1940 სსრკ მსხვ. მრეწვ. მთლიანი პროდუქცია 1913-თან შედარებით 10-ჯერ გაიზარდა, საქ. სსრ-ისა — 27-ჯერ.

O-ს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სამამულო ომში გამარჯვებისათვის. ომის შემდეგ გრძელდება სსრკ ინდუსტრიის განვითარება. 1975 სსრკ მრეწვ. პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 131-ჯერ გაიზარდა. თუ 1913 მრეწვ. პროდუქციის საერთო მოცულობიდან წარმოების საშუალებათა წარმოებაზე 35,1% მოდიოდა, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებაზე — 64,9%, 1975 შესაბამისად — 74% და 26%. *სოციალ.* O-მ უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში ეკონ. მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია და კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის მშენებლობის სწრაფი ტემპით წარმართვა.

კაპიტალ. ქვეყნებისაგან განსხვავებით, სსრკ-ში O. თავიდანვე მძიმე მრეწვ. უპირატესი განვითარებითა და სწრაფი ტემპით წარიმართა, რაც ნაკარნახევი იყო მტრულად განწყობილი *კაპიტალ.* ქვეყნებისაგან ეკონ. დამოუკიდებლობის მიღწევის, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის სწრაფი დაძლევის, ქვეყნის საწარმოო ძალთა და თავდაცვისუნარიანობის, მშრომელთა ეკონ. და კულტ. დონის სწრაფი ამაღლების აუცილებლობით. ამასთან, O. ხორციელდებოდა დაგროვების მხოლოდ შინაგანი წყაროების საფუძველზე. საზღვარგარეთის *სოციალ.* ქვეყნებში O. ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდა. მსოფლიო *სოციალ.* სისტემის არსებობამ და საერთაშ. *სოციალ.* შრომის დანაწილებამ შესაძლებელი გახადა ცალკეული ქვეყნების სახ. მეურნ. დარგების გარკვეული სახეობის პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია. *სოციალ.* ეკონ. ინტეგრაციის ხანგრძლივ პროგრამას, რ-იც 1971 შეიმუშავეს და მიიღეს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებმა, *სოციალ.* ქვეყნების თანაშრომლობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. ახლა მნიშვნელოვნად გაღრმავდა ამ ქვეყნების სამეურნეო ურთიერთკავშირი, მათი ეკონ. დარგები სულ უფრომეტად ავსებენ ერთმანეთს.

განთავისუფლებულ ქვეყნებში O. გულისხმობს წარმოების დარგებში მეცნ. და ტექ. თანამედროვე მიღწევათა დანერგვას და ეროვნ. მრეწვ. შექმნას, რ-ის მიზანია ეკონ. დამოუკიდებლობის მოპოვება და საზ-ბის *სოც.* სტრუქტურის სრულყოფა. კლასობრივ ძალთა მდგომარეობისა და განლაგების, მთავრობის ეკონ. პოლიტიკისა და მთელი რიგი ცნობილი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ზოგიერთ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ეროვნ. ბურჟ. წარმომადგენლები. ამ გარემოებამ განსაზღვრა მოცემულ ქვეყნებში O-ის კაპიტალ. მიმართულება. სხვა ქვეყნები დაადგნენ განვითარების არაკაპიტალ. გზას და სოციალიზმის აშენების კურსი აიღეს.

განვითარებად ქვეყნებში O. მიმდინარეობს მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მრეწვ. შექმნისას ეს ქვეყნები დიდ და უანგარო დახმარებას იღებენ სსრკ-ისა და სხვა *სოციალ.* ქვეყნებისაგან, რ-თა მდიდარი გამოცდილება და სკკპ მშვიდობიანი პოლიტიკა ქმნის განთავისუფლებული ქვეყნების ინდუსტრ. განვითარების ხელსაყრელ პირობებს.

ლიტ.: მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, თ. 13, 24; ენგელსი ფ., მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, ტფ., 1935; ლენინი ვ. ი., კატასტროფის მოქარა და როგორ ვებრძოლოთ მას, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 26; მისივე, მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონასახი, იქვე, ტ. 27; მისივე, პროექტი საბჭოების VIII ყრილობის რეზოლუციისა ელექტროფიკაციის შესახებ მოსმენილი მოხსენების გამო. [სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობა. 1920 წ. 22—29 დეკემბერი], იქვე, ტ. 31; მისივე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, იქვე, ტ. 27; საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობა. 1938 წ. 15—19 ივნისი. სტენოგრაფიული ანგარიში, [თბ.], 1939; ბაჯაძე ი., დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარება, თბ., 1957; კოდუა ი., საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკაა, თბ., 1961; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1970), თბ., 1971; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა. 1922—1972, ბ. გუგუშვილის რედ., თბ., 1972.

ბ. ციციშვილი.

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ, ამზადებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ინჟინრებს. 1978 სსრკ-ში იყო 6 O. O.: დნეპროძერჟინსკში (1967), კრამატორსკში (1963), ნორილსკში (1961, საღამოს სწავლების), პავლოდარში (1960), ტიუმენში (1963), უხტაში (1967).

O. O-ში არის დღის, საღამოს და დაუსწრებელი 5-წლიანი სწავლება (წარმოებისგან მოუწყვეტლად — 6-წლიანი). *კურს.* დამთავრებულებს სადიპლომო პროექტის დაცვის შემდეგ არჩეული სპეციალობის მიხედვით ენიჭებათ ინჟინერ-ტექნიკოსის, მეტალურგის, თბოელექტროტექნიკოსის, ელექტრიკოსის, მშენებლის, ეკონომისტისა და სხვ. კვალიფიკაცია. ტიუმენის O. O-ს უფლება აქვს დაცვისათვის მიიღოს საკანდიდატო დისერტაციები.

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, თანამედროვე ბურჟუაზიული *სოციოლოგიის* ერთ-ერთი ნაირსახეობა, რ-იც ფორმალურად აღიარებს წარმოების ტექნიკისა და ზოგიერთი ორგანიზაციული ელემენტის განმსაზღვრელ როლს საზ-ბის განვითარებაში. აღნიშნულ ფაქტორებს იგი განიხილავს წარმოებითი ურთიერთობებისაგან მოწყვეტით.

O. ს. O. წარმოიშვა XIX—XX სს. მიჯნაზე, როგორც შედეგი მანქანური წარმოებისა, მაგრამ მისი ყველა ნაირსახეობა („კონვერგენცია", „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" და სხვ.) ჯიუტად უარყოფს მანქანური წარმოების ობიექტურ *სოციალურ* შედეგებს, კერძოდ, კაპიტალიზმის დროს მეცნ.-ტექ. პროგრესის მონაპოვართა ვიწრო კლასობრივი გამოყენების ფაქტს.

O. ს. O-ის ძირითად ნაირსახეობათა მთავარი მოტივია „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების" შექმნა, ანუ ორი თანამედროვე მსოფლიო სისტემის სრული „შერწყმა" („კონვერგენცია"), რაც თითქოს ერთიან ტექ.-ეკონ. საფუძველზე ხორციელდება. ფაქტობრივად ეს თვალსაზრისი ემყარება კაპიტალიზმის შინაგანი სიმტკიცისა და *სოციალიზმის* „ერთიანის" ილუზიურ რწმენას. იგი „ცივი ომის" პოლიტიკის მოდური იდეოლოგიის ანარეკლია.

ლიტ.: ასათიანი გ., თანამედროვე ბურჟუაზიული *სოციოლოგია,* თბ., 1976; გუგუშვილი ბ., თანამედროვე ბურჟუაზიული *სოციოლოგიის* შესახებ, თბ., 1966.

გ. ასათიანი.

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ-ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲔᲑᲘ, ამზადებენ საწარმოო სწავლების ოსტატებს პროფტექნიკური სასწავლებლე-

ბისათვის. პირველი ი.-პ. ტ. გაიხსნა 1943 მოსკოვში, კუიბიშევსა და მაგნიტოგორსკში, 1945 თბილისში. 1978 სსრკ-ში იყო 62 ი.-პ. ტ. მიიღებიან მუშა-ახალგაზრდები, რ-ებსაც აქვთ პროფტექ. სასწავლებლის განათლება და არანაკლებ III თანრიგის კვალიფიკაცია სპეციალობაში. ი.-პ. ტ-ის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ საწარმოო სწავლების ოსტატ-ტექნიკოსის კვალიფიკაცია.

ინდუქტოთერმია (ლათ. inductio — შეყვანა და ბერძნ. thermē — სითბო), ელექტრომკურნალობის მეთოდი, სხეულის განსაზღვრული ნაწილების გათბობა მაღალი სიხშირის (10—40 *მეგაჰც.*) ცვლადი ელექტრომაგნიტური ველით. ეს ველი ორგანიზმის ქსოვილებში ინდუქციით აღძრავს გრიგალურ ელექტროდენებს, რ-თა ძალა გარემოს ელექტროგამტარობის პროპორციულია, ამიტომ ეს დენები განსაკუთრებით ინტენსიურია ორგანიზმის თხევად გარემოში (სისხლი, ლიმფა და სხვ.), სადაც მაღალია ელექტროგამტარობა. ი-ის შედეგად წარმოქმნილი სითბო აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, სისხლის მიმოქცევას, აქვეითებს კუნთოვანი ბოჭკოების ტონუსს და ნერვების აგზნებადობას, ამცირებს ტკივილს. ი-ს იყენებენ ანთებითი პროცესებისა და პერიფერიული ნერვების დაავადებათა სამკურნალოდ.

ინდუქტორი (ლათ. inductor<induco — შემყავს, ვაიძულებ) სატელეფონო, ხელისამძრავიანი ცვლადი დენის გენერატორი, რ-საც იყენებენ ადგილობრივი ბატარეის სისტემის ტელეფონის აპარატებში ტელეფონის სადგურში გამოძახების სიგნალთა გასაგზავნად. ი. ორი სახეობისაა. ერთი შედგება ორი უძრავი მართკუთხა მაგნიტის, გრაგნილიანი მბრუნავი ლუზის, რედუქტორისა და დენსასართმევი ზამბარებისაგან (ნახ. 1), მეორე — გრაგნილდახვეული უძრავი ლუზისა და მრავალპოლუსიანი რგოლისებრი მბრუნავი მაგნიტისაგან (ნახ. 2). ი-ით გამომუშავებული დენის სიხშირე, რ-იც მისი სახელურის ბრუნვის სიჩქარეზეა დამოკიდებული, 18—21 *ჰც*-ია, ძაბვა — 60—70 *ვ*, ხოლო სიმძლავრე — 3,8 *ვტ* (როცა დატვირთვის წინაღობაა 2,5 *კომ*).

ო. ღამბაშიძე.

ინდუქტორი სახურებელი, *ინდუქციური გახურებისათვის* განკუთვნილი ელექტრომაგნიტური მოწყობილობა. მისი მთავარი ნაწილებია მაინდუქციებელი გამტარი, რ-ის მეშვეობით იქმნება ცვლადი მაგნ. ველი, და მაინდუქციებელი გამტარის ელექტრული ენერგიის წყაროსთან შესაერთებელი დენმიმყვანები. ცვლად მაგნ. ველში მოთავსებული ელექტრული დენის გამტარი სხეული ხურდება გრიგალური დენის თბური მოქმედების შედეგად. გრიგალური დენი ნაკეთობის იმ უბნებში აღიგზნება, რ-ებზედაც მაინდუქციებელი გამტარი უშუალოდაა შემოხვეული. განასხვავებენ ერთდროული გახურებისა და უწყვეტი თანამიმდევრული გახურების ი-ებს. პირველი ტიპის ი-ში მაინდუქციებელი გამტარის ფართობი თითქმის გასახურებელი ზედაპირის ფართობის ტოლია. ამიტომ შესაძლებელია გასახურებელი ზედაპირის ყოველი უბნის ერთდროული გახურება. მეორე ტიპის ი-ში გასახურებელ ნაკეთობას მაინდუქციებელი გამტარის მიმართ გადააადგილებენ და შესაბამისად გაახურებენ ნაკეთობის ზედაპირის უბნებს. ი-ის კონსტრუქციასა და მისი მკვებავი ელექტრული დენის სიხშირეს, აგრეთვე მაინდუქციებელი სისტემის მაგნ. წრედის მასალის სახეობას და მისთ. განაპირობებს შესასრულებელი სამუშაოს სახეობა (ცილინდრული და ბრტყელი ფორმის ნაკეთობათა ზედაპირული გახურება და წრთობა, სამჭედლო ნამზადების გამჭოლი გახურება, ლითონთა დნობა და სხვ.). იხ. ნახაზები.

ინდუქცია (ლათ. inductio), დასკვნისა და დასაბუთების სახე, რ-ის საშუალებითაც ხდება გარკვეული კლასის ზოგიერთი საგნის შესახებ ცოდნის გავრცელება ამ კლასის ყველა წევრზე. ინდუქციური დასკვნის წანამძღვრებში დადგენილია, რომ საგანთა გარკვეული *A* კლასის ზოგიერთ წევრს აქვს *B* ნიშანთვისება, დანასკვი კი წარმოადგენს ზოგად დებულებას: „ყველა *A* არის *B*", რ-იც წანამძღვრებში შემჩნეული რეგულარობის განზოგადებაა.

ი-ს ეწოდება სრული ანუ შემაჯამებელი, თუ მის წანამძღვრებში მოცემულია განსახილველი კლასის თითოეულ საგანზე დაკვირვების შედეგები, ხოლო დანასკვში იგივე ცოდნა გამოთქმულია ზოგადი დებულების სახით. სრული ი. დედუქციური დასკვნის სახეა, რადგან მისი დანასკვი ლოგიკურად გამომდინარეობს (იხ. *გამომდინარეობა*) წანამძღვრებიდან. ი. არის არასრული ანუ გამაფართოებელი, თუ მის წანამძღვრებში მოცემულია განსახილველი კლასის დაკვირვების შედეგები მხოლოდ ზოგიერთ საგანზე, დანასკვში კი ეს შედეგები განზოგადებულია ამ კლასის ყველა საგნისათვის. ამ გზით არის მიღებული მეცნ. კანონთა უმრავლესობა. თუ არასრული ი-ის წანამძღვრები მიღებულია ისე, რომ დასაკვირვებელი მოვლენები საგანგებოდ კი არ არის შერჩეული, არამედ პასიური დაკვირვების შედეგადაა თავმოყრილი, მას პოპულარულ ანუ მარტივი ჩამოთვლის გზით მიღებულ ი-ს უწოდებენ, საპირისპირო შემთხვევაში მიღებული ი. კი მეცნიერულია.

ინდუქციური განზოგადება ხსნის უკვე ცნობილ ფაქტებს, ამასთან, საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვჭვრიტოთ უცნობი ფაქტები, ავიმაღლოთ ცოდნის დონე. მაგრამ იმის გამო, რომ ინდუქციური დასკვნის შედეგად მიღებული ცოდნა ლოგიკურად არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან, ინდუქციური დასკვნით მიღებული დებულების ჭეშმარიტება საალბათოა.

თუ საგანი ისეთია, რომ მას აქვს როგორც *A*, ისე *B* ნიშან-თვისება, მაშინ ველა *A* არის B. ამ შემთხვევას განზოგადების დამადასტურებელი შემთხვევა ეწოდება, ხოლო თუ საგანს ახასიათებს *A* ნიშან-თვისება, მაგრამ არ ახასიათებს *B*, მას დამრღვევ შემთხვევას უწოდებენ. რაც არ უნდა დიდი იყოს დამადასტურებელი შემთხვევების რაოდენობა, არასდროს არ გვექნება ლოგიკური საფუძველი ჭეშმარიტად ჩავთვალოთ განზოგადება, მაგრამ საკმარისია თუნდაც ერთი დამრღვევი შემთხვევის პოვნა, რომ მცდარად ჩაითვალოს განზოგადება.

ინდუქციური ბჭობის პროცესში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ დაკვირვების მონაცემებში რეგულარობის, განმეორებადობის აღმოჩენა და ამ რეგულარობის განზოგადება. აღმოჩენა შემმეცნებელი სუბიექტის შემოქმედებითი საქმიანობაა, რ-იც არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დასკვნა ან საზოგადოდ ბჭობის ლოგიკური პროცესი.

არასრული ი., რ-იც მეცნ. შემეცნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, არადედუქციური, არაგამომდინარეობითი ბჭობაა. ამიტომ ინდუქციური დასკვნის ჭეშმარიტების დასაბუთების საკითხი იყო და არის მწვავე ფილოს. და ლოგიკური დისკუსიების ობიექტი. დიალექტ.-მატერიალიზმის თანახმად, ი-ის გამართლება, მისი ობიექტურობის საფუძველი არის სინამდვილის კანონზომიერებათა ობიექტურობა და ადამიანის მიერ მისი შემეცნების შესაძლებლობა. იხ. აგრეთვე სტ. *ინდუქციური ლოგიკა.*

ლიტ.: ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1955; დოდაშვილი ს., ფილოსოფიის კურსი, ნაწ. 1— ლოგიკა, თხზულებანი, თბ., 1961; Бэкон Ф., Новый органон, пер. [с лат.], Л., 1935; Карнап Р., Философские основания физики, пер. с англ., [М., 1971]; Котарбиньский Т., Лекции по истории логики, Избр. произв., пер. с польск., М., 1963; Милль Д. С., Система логики силлогистической и индуктивной, пер. с англ., М., 1914; Keynes J. M., A treatise on probability, L., 1952; Kneale W., Probability and induction, Oxf., 1949; Nicod J., Le problème logique de l'induction, P., 1961; Whewell W., Novum organonum renovatum, L., 1858; Wright G. H., The logical problem of induction, Oxf., 1957.

ლ. ბჭედლიშვილი.

ინდუქცია ფიზიკაში, 1. ელექტრული მუხტების ინდუქცირების პროცესი ელექტრულ ველში მოთავსებულ გამტარ და დიელექტრიკულ სხეულებში მათთვის გარედან მუხტების მინიჭების გარეშე (ელექტროსტატიკური ი.), აგრეთვე გარე მაგნიტურ ველში სხეულთა დამაგნიტების პროცესი (მაგნიტური ი.); 2. ფიზიკური სიდიდეები, რ-ებიც ელექტრული და მაგნიტური ველების დაძაბულობებთან ერთად აღწერენ ამ ველებს (ელექტროსტატიკური ი. და მაგნიტური ი.); 3. ცვლად მაგნიტურ ველში უძრავად მოთავსებულ ან მაგნიტურ ველში მოძრავ სხეულში ელექტრომამოძრავებელი ძალის (ინდუქციის ემძ) აღძვრის პროცესი (ელექტრომაგნიტური ი.); 4. უნიპოლარული ი., დამაგნიტებული სხეულის ბრუნვის შედეგად ემძ-ის წარმოქმნა.

ელექტროსტატიკური ინდუქცია. წარმოიქმნება ფიზ. სხეულზე გარე *E* ელექტრული ველის მოდების შედეგად. გამტარში ელექტრული ველის გავლენით თავისუფალი ელექტრონები გადაადგილდება, რაც გამტარის შიგნით მუხტების გადანაწილებას გამოიწვევს. გადაადგილება მიმდინარეობს მანამდე, სანამ მუხტების განაწილების შესაბამისი ველით არ მოხდება გარე ელექტრული ველის კომპენსირება. დიელექტრიკის ატომების შემადგენელი მუხტები ელექტრული ველის მოდებით მხოლოდ მცირე მანძილზე წაინაცვლებენ ერთმანეთის მიმართ და წარმოქმნიან ელექტრულ დიპოლებს. ამ მოვლენას დიელექტრიკის პოლარიზაცია ეწოდება. იგი ხასიათდება პოლარიზაციის *P* ვექტორით, რ-იც განისაზღვრება როგორც დიელექტრიკის ერთეული მოცულობის ჯამური ელექტრუ-



სახურებელი ინდუქტორი, ცილინდრული დეტალების საწრთობი ინდუქტორი: 1—კამერაში საწრთობი წყლის წნევის გასათანაბრებელი ბაბრები; 2—კამერა; 3—საწრთობი წყლის გამოსასვლელნახვრეტებიანი მაინდუქციებელი გამტარი; 4—წყლით გაცივების მილსადენი.



სახურებელი ინდუქტორი, შიგა ცილინდრული ზედაპირების საწრთობი მარყუჟული ინდუქტორი: ა—ინდუქტორის საცივებელი და საწრთობი წყლის გამოსასვლელი ცალკეულკამერებიანი კონსტრუქცია; ბ—მუდმივი გაცივების გარეშე კონსტრუქცია: 1—მაგნიტური წრედი; 2—მაინდუქციებელი გამტარი; 3—წყლით გაცივების მილსადენი.



სახურებელი ინდუქტორი, ბრტყელი ზედაპირის საწრთობი ინდუქტორი: 1—მაინდუქციებელი გამტარი; 2—მაგნიტური წრედი; 3—საწრთობი წყლის მისაწოდებელი საშაპე მოწყობილობა; 4—წყლის გაცივების მილსადენი.



ინდუქცია ემბრიოლოგიაში. ჩვეულებრივი ტრიტონის ჩანასახში თვალის ბროლის განვითარება მისთვის უჩვეულო ადგილზე ალპიური ტრიტონის თვალის ნასახის გადანერგვისას: 1—ინდუცირებული ლინზა; 2—გადანერგული თვალი; 3—ზურგის ტვინი; 4—ქორდა; 5 — ჩანასახრეციპიენტის თირკმლის მილაკები.



ინდუქციური გადამწოდის კონსტრუქციის სქემა: ა—ცვლადლრეჩოიანი; ბ—ლრეჩო ცვლადფართობიანი. 1—საინდუქციო კოჭა; 2—გულარი; 3—ლუზა.



ინდუქციური გახურების დანადგარის სქემა: 1—კვების წყარო; 2—რეაქტიული ტევადობითი სიმძლავრის ბლოკი (კონდენსატორი); 3—ინდუქტორი; 4—ამონაგიანი ტექნოლოგიური სივრცე (ტიგელი); 5—გასახურებელი ობიექტი.

ლი მომენტი: $P=\frac{1}{V}\Sigma p$ (p ცალკეული მოლეკულის ელექტრული მომენტია, ხოლო შეჯამება ხდება V მოცულობაში შემავალი ყველა მოლეკულისათვის), ან ელექტრული ინდუქციის D ვექტორით.

გაუსის სისტემაში

$$D=E+4\pi P; \qquad (1)$$

SI სისტემაში

$$D=\varepsilon_0 E+P, \qquad (2)$$

სადაც ε_0 განზომილებიახ მუდმივაა; მას ელექტრულ მუდმივას უწოდებენ. გაუსის სისტემაში

$$P=\varkappa_e E, \qquad (3)$$

სადაც $\varkappa_e$ უგანზომილებო სიდიდეა; მას *დიელექტრიკულ ამთვისებლობას* უწოდებენ. თუ ჩავსვამთ (3) გამოსახულებას (1) ფორმულაში, მივიღებთ D და E შორის კავშირს

$$D=E(1+4\pi\varkappa_e)=\varepsilon E.$$
$$\varepsilon=1+4\pi\varkappa_e$$

სიდიდე აგრეთვე ნივთიერების ელექტრულ თვისებებს ახასიათებს და მას ფარდობით *დიელექტრიკულ შეღწევადობას* ან უბრალოდ დიელექტრიკულ შეღწევადობას უწოდებენ.

SI სისტემაში

$$P=\varkappa_e\varepsilon_0 E$$

და სათანადოდ

$$D=\varepsilon_0 E(1+\varkappa_e)=\varepsilon_0\varepsilon E,$$
$$\varepsilon=1+\varkappa_e.$$

მაგნიტური ინდუქცია არის სხეულის დამაგნიტების პროცესი, რ-იც მიმდინარეობს გარე მაგნ. ველში ამ სხეულის მოთავსებისას ატომებში ელექტრონების მოძრაობის ხასიათის შეცვლისას. (იხ. *დიამაგნეტიზმი* და *პარამაგნეტიზმი*). მაგნ. პოლარიზაციის ზომაა დამაგნიტებულობის ვექტორი, რ-იც განისაზღვრება როგორც ერთეული მოცულობის მაგნ. მომენტი M ან მაგნ. ი-ის B ვექტორი.

გაუსის სისტემაში

$$B=H+4\pi M; \qquad (4)$$

SI სისტემაში

$$B=\mu_0 H+M, \qquad (5)$$

სადაც μ_0 მაგნიტურ მუდმივას ან ვაკუუმის მაგნ. შეღწევადობას უწოდებენ. გაუსის სისტემაში

$$M=\varkappa_m H, \qquad (6)$$

სადაც $\varkappa_m$ *მაგნიტური ამთვისებლობაა*. თუ (6) გამოსახულებას შევიტანთ (4) ფორმულაში, მივიღებთ B და M შორის კავშირს

$$B=H(1+4\pi\varkappa_m)=\mu H.$$
$$\mu=1+4\varkappa_m\pi$$

სიდიდე აგრეთვე ნივთიერების მაგნ. თვისებებს ახასიათებს და მას *მაგნიტურ შეღწევადობას* უწოდებენ.

SI სისტემაში

$$M=\mu_0\varkappa_m H$$

და სათანადოდ

$$B=\mu_0 H(1+\varkappa_m)=\mu_0\mu H, \quad \mu=1+\varkappa_m.$$

ელექტრომაგნიტური ინდუქცია ანუ ფარადეის ელექტრომაგნ. ი-ის კანონი მდგომარეობს შემდეგში: L კონტურით შემოსაზღვრული ნებისმიერი S ზედაპირის გადამკვეთი მაგნ. ი-ის ვექტორის Φ ნაკადის ($\Phi=\int BndS$, სადაც n ზედაპირის ნორმალია) ყოველგვარი ცვლილება დროში მის შემომსაზღვრელ კონტურში აღძრავს E ემძ-ს, რ-იც ამ ცვლილების პროპორციულია: $E=-\varkappa\frac{\partial\Phi}{\partial t}$.

გაუსის სისტემაში $E=-\frac{1}{c}\frac{\partial\Phi}{\partial t}$ (c სინათლის სიჩქარეა), SI სისტემაში $E=-\frac{\partial\Phi}{\partial t}$.

მუდმივ მაგნ. ველში S ზედაპირის გადამკვეთი Φ ნაკადის ცვლილება მხოლოდ გამტარის მოძრაობასთანაა დაკავშირებული. გამტარის მაგნ. ძალწირების გასწვრივ მოძრაობისას არ აღიძვრება ემძ.

უნიპოლარული ინდუქციაა დამაგნიტებული სხეულის ბრუნვის შედეგად ემძ-ის წარმოშობა. ასეთ სხეულში დაიმზირება მისი ორი ნებისმიერი წერტილის შემაერთებელ უძრავ კონტურში გამავალი ელექტრული დენი.

ლიტ.: მირიანაშვილი გ., იმხნელი ა., ელექტრობისა და მაგნეტიზმის ზოგადი კურსი, თბ., 1959; Тамм И. Е., Основы теории электричества, 9 изд., М., 1976.

ინდუქცია ემბრიოლოგიაში, ჩანასახის ნაწილთა ურთიერთმოქმედება, რ-ის დროსაც ერთი მათგანი (ინდუქტორი) განსაზღვრავს მეორის (მორეაგირე სისტემის ანუ რეაქტორის) შემდგომი განვითარების მიმართულებას, რაც ამ ნაწილების კონტაქტით ხდება. ი-ის მოვლენა აღმოაჩინა გერმ. მეცნ. ჰ. *შპემანმა* 1901.

ი-ის მაგალითია ქორდომეზოდერმის, ე. ი. ბლასტოპორის ზედა ბაგის მასალის (ე. წ. „პირველადი ორგანიზატორის") შეხების შედეგად ჩანასახის ზურგის ექტოდერმაში ნერვული სისტემის ნასახის (ნერვული ფირფიტის) წარმოქმნა; აგრეთვე თვალის ნასახის (სათვალე ბუშტის) კონტაქტის შედეგად ექტოდერმაში ბროლის განვითარება და სხვ. ინდუქტორის ამოკვეთისას ი. აღარ ხდება, მისი გადანერგვისას ი. ხდება უჩვეულო ადგილზე (მაგ., სათვალე ბუშტის ამოცლისას, ბროლი აღარ წარმოიქმნება; სათვალე ბუშტის გადანერგვისას ჩანასახის მუცელზე — ბროლი მუცლის ექტოდერმიდან განვითარდება). ი-თვის აუცილებელია კონტაქტი ინდუქტორსა და რეაქტორს შორის, რეაქტორს უნდა ჰქონდეს კომპეტენცია (ინდუქტორის მოქმედების საპასუხოდ შესაბამისი სტრუქტურის წარმოქმნის უნარი), მისი დიფერენცირების გარკვეული დონე (რ-ის შემდეგ იგი განიცდის დეტერმინაციას და ინდუქტორის ზემოქმედება მის განვითარებას ვეღარ შეცვლის) და სხვ. ხშირად მორეაგირე სისტემაც თვალსაჩინო გავლენას ახდენს ინდუქტორზე, ე. ი. ი-ს ურთიერთმოქმედებითი ხასიათი აქვს. ი-ის მექანიზმი საბოლოოდ გარკვეული არ არის. ზოგ შემთხვევაში დადგენილია ინდუქტორის უჯრედებიდან ქიმ. ნივთიერებების გადასვლა მორეაგირე სისტემის უჯრედებში. ი-ის ქიმ. (ჰუმორალური) ხასიათს ადასტურებს ისიც, რომ მაინდუცირებელ მოქმედებას ინარჩუნებს მკვდარი (გაცხელებით, ფიქსაციით) ინდუქტორი. დადგენილია, რომ ინდუქტორის მოქმედება სახეობრივად სპეციფ. არ არის (სხვა სახეობის ინდუქტორის ტრანსპლანტაცია ნორმალურ ი-ს იძლევა).

ფიზიოლოგიაში — ნერვული პროცესების (აგზნებისა და შეკავების) ურთიერთმოქმედება, რ-იც გამოიხატება იმით, რომ ერთი მათგანი იწვევს ან აადვილებს მეორის განვითარებას: აგზნება ინდუცირებს შეკავებას (უარყოფითი ი.), შეკავება კი — აგზნებას (დადებითი ი.). ი-ის ინტენსიურობა და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია აგზნებისა და შეკავების პროცესის სიძლიერეზე, მაინდუცირებელ კერასა და იმ უბანს შორის მანძილზე, სადაც ი. ვლინდება და სხვ. ი. ვლინდება ნერვული სისტემის ყველა ნაწილში, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქში. *ლ. ნათაძე.*

ინდუქციური გადამწოდი, საზომი ვარდამქმნელი მობრუნების კუთხისა და მექანიკური გადაადგილებისა, რ-თა ცვლილება იწვევს ინდუქციურობის შეცვლას. ი. გ. მაგნიტურწრედიანი საინდუქციო კოჭაა, რ-ის მოძრავი ელემენტი (ლუზა) გადაადგილდება გასაზომი სიდიდის ზემოქმედებით. საჰაერო ლრეჩოს ცვლილების გამო მაგნ. წრედში იცვლება მაგნ. წინაღობა და, მაშასადამე, კოჭას ინდუქციურობაც. სიდიდის გასაზომად კოჭას რთავენ ცვლადი დენის დიფერენც. ან ხიდურ სქემაში, რ-ის მაჩვენებელ ელემენტზე გრადუირებულია საზომი სიდიდის ერთეულები. ი. გ. მრავალი სახეობისაა. უფრო გავრცელებულია ისეთი გადამწოდი, რ-ის საჰაერო ლრეჩო ან ცვლადია (ნახ. ა), ან ცვლადფართობიანი (ნახ. ბ). მცირე (*მკმ*-ის ნაწილებიდან 3—5 *მმ*-მდე) გადაადგილებას ზომავენ ცვლადლრეჩოიანით, 0,5-იდან 15 *მმ*-მდე გადაადგილებას კი — მეორე ტიპის გადამწოდით.

ინდუქციური გახურება, დენგამტარი სხეულების გახურება ცვლადი ელექტრომაგნიტური ველის მოქმედების შედეგად აგზნებული დენებით. ი. გ-ისას გამტარში გამოყოფილი სიმძლავრე დამოკიდებულია გამტარის ზომასა და ფიზ. თვისებებზე (კუთრი ელექტრული წინაღობა, ფარდობითი მაგნ. შეღწევადობა), აგრეთვე ელექტრომაგნ. ველის სიხშირესა და დაძაბულობაზე. ი. გ-ის დროს გასახურებელ ობიექტში სიმძლავრე არათანაბრად ნაწილდება. ზედაპირულ ფენაში, ე. წ. შეღწევის სიღრმეში, გამოიყოფა მთელი სიმძლავრის 86%. ი. გ-ისას ცვლადი ელექტრომაგნ. ველის შესაქმნელად იყენებენ დაბალი (50 *ჰც*), საშ. (10 *კჰც*-მდე) და მაღალი (10 *კჰც*-ზე მეტი) სიხშირის დენებს. ი. გ-ს მიმართავენ ლითონების დნობის, ზონური დნობისა და წნევით დამუშავების წინ ნამზადის გასახურებლად და სხვ. ი. გ. გასახურებელ სხეულში ელექტროენერგიის გადაცემის ყველაზე სრულყოფილი უკონტაქტო ხერხია (ელექტროენერგია უშუალოდ გარდაიქმნება თბურ ენერგიად).

ინდუქციური ლოგიკა, ლოგიკის დარგი, რ-იც შეისწავლის დასკვნისა და დასაბუთების *ინდუქციურ* მეთოდებს (იხ. *ინდუქცია*). პირველი იდეა ი. ლ-ის შესახებ წამოაყენა *სოკრატემ*. *არისტოტელემ* მოგვცა ინდუქციის თანამედროვე გაგება. შემდგომში ი. ლ-ის პრობლემებს იკვლევდნენ ეპიკურეს მიმდევრები. ახ. დროში ჩამოყალიბდა ი. ლ-ის ორი დარგი: ელიმინაციის თეორია (ფრ. ბეკონი, ჯ. სტ. მილი და სხვ.), და დადასტურების თეორია.

ელიმინაციის თეორია ეყრდნობა ინდუქციის დადასტურება-დარღვევის ასიმეტრიულობას, სახელდობრ, მონაცემები, რ-ებიც თავმოყრილია ინდუქციური დასკვნის წანამძღვრებში, ხშირად საფუძველს იძლევა წამოყენებულ იქნას ერთზე მეტი სხვადასხვა ჰიპოთეზა იმ რეგულარობის შესახებ, რ-ის კერძო შემთხვევაა ეს მონაცემები და რ-იც ინდუქციამ უნდა განაზოგადოს. დამრღვევი შემთხვევების საშუალებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ალტერნატიული ჰიპოთეზის თავიდან აცილება ან მათი ელიმინაცია. მეცნ. ინდუქცია არის ელიმინაციის შერჩევითი პროცესი. შემუშავებულია ელიმინაციის მეთოდები, რ-თა ერთ-ერთი ვარიანტი ცნობილია მილის ინდუქციური მეთოდების სახელით.

დადასტურების თეორია არის ალბათობის თეორიის მიყენება ინდუქციის მიმართ. მისი ამოსავალი პრინციპის თანახმად, დამადასტურებელი შემთხვევები უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ინდუქციური განზოგადების ალბათობის გარკვეულ ხარისხზე: დადასტურების თეორიაში განზოგადებას მიეწერება ალბათობის ხარისხი დაკვირვების მონაცემების ან საზოგადოდ იმ ცოდნის მიმართ, რ-იც ინდუქციის წანამძღვრებშია მოცემული. ამის ხაზგასასმელად ლაპარაკობენ *დადასტურების სარისხზე* და არა ალბათობის ხარისხზე.

ლიტ. იხ. სტ. ინდუქცია.

ლ. მჭედლიშვილი.

ინდუქციური სახურებელი დანადგარი, ელექტროთერმული დანადგარი, რ-შიც ლითონის ნამზადები და დეტალები *ინ-*

დუქციური გახურების შედეგად ხურდება. ი. ს. დ. შედგება გენერატორის, ინდუქტორის, საკონდენსაციო ბატარეის, გასახურებელი ნამზადის გადასაადგილებელი მექანიზმებისაგან, წყლით საცივებელი, აგრეთვე დაცვისა და კონტროლის სისტემებისაგან. ფართოდაა გავრცელებული გამმჭოლი გახურებისა და დეტალთა ზედაპირული წრთობის ი. ს. დ.-ები.

ინდუქციური ღუმელი, ინდუქციური სადნობი ღუმელი, მასალების სადნობი ელექტროთერმული დანადგარი, რ-შიც დნობა მიმდინარეობს *ინდუქციური გახურების* შედეგად. მრეწველობაში ძირითადად იყენებენ ტიგელის ი. ღ-ებს და ინდუქციურ არხღუმლებს. ტიგელის ი. ღ. შედგება ინდუქტორისაგან (სპილენძის მილისაგან დამზადებული სოლენოიდი) და ტიგელისაგან (რ-საც ნადნობის თვისებების შესაბამისად ამზადებენ კერამ. მასალისაგან. ბოლო სპეც. შემთხვევებში — გრაფიტისაგან, ფოლადისა და მისთ.). ტიგელის ი. ღ-ში ადნობენ ფოლადს, თუჯს, ძვირფას ლითონებს, სპილენძს, ალუმინს, მაგნიუმს. ტიგელის ი. ღ. არის ღია, ვაკუუმური, აირით სავსე და კომპრესიული; არხღუმელი ტიგელის ღუმლისაგან იმით განსხვავდება, რომ ელექტრომაგნ. ენერგია თბურ ენერგიად გარდაიქმნება სითბოს გამოყოფის არხში, რ-იც მუდამ სავსე უნდა იყოს ელექტროგამტარი სხეულით. არხღუმლების ასამუშაებლად არხში გამდნარ ლითონს ასხამენ ან ღუმელში დგამენ გასადნობი მასალისაგან დამზადებულ შაბლონს. დნობის დამთავრების შემდეგ ღუმლიდან ლითონს მთლიანად არ გადმოასხამენ. მასში ჩატოვებენ ე. წ. „ჭაობს", რ-იც ავსებს სითბოს გამოყოფის არხს ღუმლის ხელახალი ამუშაებისათვის. ი. ღ-ს იყენებენ ლითონების გადადნობისა და რაფინირებისათვის, აგრეთვე გამდნარი ლითონის შესანახად და ჩამოსხმის წინ გადამეტსახურებლად.

ინდუქციურობა, ფიზიკური სიდიდე, რ-იც ახასიათებს ელექტრული წრედის მაგნიტურ თვისებებს. გამტარ კონტურებში გამავალი დენი გარემომცველ სივრცეში ქმნის მაგნ. ველს. ამასთან, კონტურის გამსჭვალავი Φ მაგნ. ნაკადი დენის ძალის პირდაპირპროპორციულია: $\Phi = LI$. პროპორციულობის კოეფიციენტს ეწოდება ი. ან კონტურის *თვითინდუქციის* კოეფიციენტი. ი. დამოკიდებულია კონტურის ფორმასა და ზომაზე, აგრეთვე გარემომცველი გარემოს მაგნ. შეღწევადობაზე. ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში (SI) ი. იზომება ჰენრობით, ერთეულთა CGS (გაუსის) სისტემაში ი-ს სიგრძის განზომილება აქვს, ამიტომ მის ერთეულს სანტიმეტრი ეწოდება (1 *ჰ*=10^9 *სმ*).

ინდუქციურობის საზომები, შეყურსულპარამეტრებიანი კონტურების, ტრანსფორმატორთა გრაგნილების, დროსელების, საინდუქციო კოჭებისა და სხვ. ინდუქციურობის საზომი ხელსაწყოები, რ-თა მუშაობის პრინციპს განსაზღვრავს გაზომვის მეთოდები („ვოლტ-ამპერმეტრისა", ბოგური, რეზონანსული). როცა ინდუქციურობა დიდია (0,1 *ჰ*-იდან 1000 *ჰ*-მდე), გრაგნილის აქტ. წინაღობა 'კი — მნიშვნელოვნად მცირე, ინდუქციურობის გასაზომად „ვოლტ-ამპერმეტრის" მეთოდს იყენებენ (ნახ. 1). ამ შემთხვევაში გასაზომი ინდუქციურობა $L_x = \frac{U}{2\pi f \cdot I}$; U არის ძაბვა, I — დენის ძალა გასაზომი ინდუქციურობის წრედში, f — ცვლადი დენის სიხშირე (ჩვეულებრივ 50 *ჰც*); ხელსაწყოს ცდომილება 2—3%-ია.

ბოგური ი. ს-ის (ნახ. 2) მთავარი ელემენტია ცვლადი დენის (სიხშირე 100, 400 ან 1000 *ჰც*) საზომი ბოგა, გაწონასწორებისას საინდუქციო კოჭას გრაგნილის სადენის ომური წინაღობა $r_x = \frac{R_1 \cdot R_2}{R_3}$, $L_x = C_ე \cdot R_1 \cdot R_2$; ხელსაწყოს ცდომილებაა დაახლ. 1—3%, გაზომვის ზღვრები — 0,1—1000 *ჰ*. რეზონანსული ი. ს-ის გამოყენებისას (ნახ. 3) ინდუქციურობას ანგარიშობენ ფორმულით: $L_x = \frac{2{,}53 \cdot 10^{10}}{f_0^2 \cdot C}$, L_x არის ინდუქციურობა (*მჰ*-ებში), f_0 — რეზონანსის სიხშირე (*კჰც*-ებში), $C = C_x + C_ე$ კონტურის სრული ტევადობა (*პფ*-ში). რეზონანსული ი. ს-ის ცდომილება 2—5%-ა, გაზომვის ზღვრები — 0,05 *მკჰ*-იდან 100 *მჰ*-მდე.

ინდუცირებული გამოსხივება, იძულებითი გამოსხივება, კვანტური სისტემის მიერ ელექტრომაგნიტური ტალღების გამოფრქვევა მასზე დაცემული გამოსხივების ზემოქმედების შედეგად. ი. გ-ის დროს გამოფრქვეული ფოტონები სიხშირით, გავრცელების მიმართულებითა და პოლარიზაციით იმ ფოტონებს ემთხვევა, რ-ებიც აიძულებენ მათ, რომ გამოიფრქვნენ. იხ. *კვანტური ელექტრონიკა*.

ინენიუ (Inönü) ისმეთ (24. IX. 1884, იზმირი,—26, XII. 1973), თურქეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. მუსტაფა *ქემალ ათათურქის* ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი. იყო გენშტაბის უფროსი და დას. ფრონტის სარდალი. 1921 იანვ. და მარტში სოფ. ინენიუსთან მისი მეთაურობით თურქ. ჯარებმა დაამარცხეს ბერძენი ინტერვენტები. ამ გამარჯვების აღსანიშნავად 1934 მიიღო გვარი ი. 1923 წ. 30 ოქტ-იდან 1937 წ. 1 ნოემბ-მდე (1924 წ. 20 ნოემბრიდან 1925 წ. 3 მარტამდე ინტერვალით) იყო პრემიერ-მინისტრი. 1932 იყო სსრკ-ში. ათათურქის სიკვდილის შემდეგ (1938 წ. 10 ნოემბ.) აირჩიეს მმართველი სახ.-რესპ. პარტიის თავ-რედ და რესპ. პრეზიდენტად (1950-მდე). 1961 ოქტ.—1965 თებ. პრემიერ-მინისტრი. 1972 წ. 8 მაისს დატოვა სახ. რესპ. პარტიის თავ-რის პოსტი.

ინერტული აირები, იშვიათი აირები, კეთილშობილი აირები, *ელემენტთა პერიოდული სისტემის* VIII ჯგ. ქიმ. ელემენტები. დიდი ხნის განმავლობაში მათ თვლიდნენ ქიმ. აბსოლ. ინერტულ აირებად. 1962 კანად. მეცნ. ნ. ბარტლეტმა პირველად მიიღო Xe ნაერთი PtF_6-თან. შემდგომ წლებში მიიღეს Xe, Kr და Rn-ის მრავალი ნაერთი.

ინერტულობა (ლათ. iners, ნათ. ბრ. inertis — დუნე, უმოქმედო, უმოძრაო), უმოქმედობა, უმოძრაობა.

ინერცია (<ლათ. inertia—უმოქმედობა), ინერციულობა (მექანიკაში), მატერიალურ სხეულთა თვისება უცვლელად შეინარჩუნონ თავისი მოძრაობის ან უძრაობის მდგომარეობა, როცა მათზე მოქმედი გარე ძალები არ არსებობენ ან ურთიერთგაწონასწორებული არიან, ხოლო სხეულებზე ძალთა გაუწონასწორებელი სისტემის მოქმედების დროს — უძრაობის ან მოძრაობის მდგომარეობა შეიცვალონ თანდათანობით და არა მყისად. ამასთან, მოძრაობა მით უფრო ნელა შეიცვლება, რაც მეტი იქნება სხეულის ი. წინსვლითი მოძრაობისას სხეულის ი-ის ზომაა მისი *მასა*, ხოლო უძრავი ღერძის ირგვლივ ბრუნვის დროს — ამ ღერძის მიმართ სხეულის *ინერციის მომენტი*.

ტერმინ „ი-ს" იყენებენ აგრეთვე სხვადასხვა ხელსაწყოს დასახასიათებლად. ამ შემთხვევაში ი-ში გულისხმობენ ხელსაწყოს მიერ აღსარიცხავი სიდიდის დაყოვნებით ჩვენებას.

ინერციის კანონი, ნიუტონის პირველი კანონი. იხ. *ნიუტონის კანონები* მექანიკისა.

ინერციის მომენტი, სიდიდე, რ-იც ახასიათებს მასების განაწილებას სხეულში და მასასთან ერთად სხეულის ინერციულობის ზომაა ბრუნვითი მოძრაობის დროს. მექანიკაში განიხილავენ ღერძულსა და ცენტრიდანულ ი. მ-ებს. სხეულის ღერძული ი. მ. z ღერძის მიმართ ეწოდება სიდიდეს, რ-იც განისაზღვრება ტოლობით: $I_z = \sum m_i r_i^2$ ან $I_z = \int \rho r^2 dV$, სადაც m არის სხეულის წერტილთა მასები, r_i — მათი დაშორება z ღერძიდან, ρ—სიმკვრივე, V — სხეულის მოცულობა. I_z სიდიდე სხეულის ინერციულობის ზომაა ღერძის ირგვლივ მისი ბრუნვისას. ღერძული ი. მ. შეიძლება ასეც ჩაიწეროს: $I_z = Mr_0^2$, სადაც M არის სხეულის მასა, ხოლო r_0— ე. წ. ინერციის რადიუსი. ი. მ-ის განზომილებაა L^2M; საზომი ეროეული — *კგ* · $მ^2$ ან *გ* · $სმ^2$. z და z' პარალელური ღერძების მიმართ ი. მ-ები ერთმანეთთან დაკავშირებულია თანაფარდობით: $I_z = I_{z'} + Md^2$, სადაც z' არის სხეულის მასათა ცენტრზე გამავალი ღერძი, ხოლო d — ღერძებს შორის მანძილი (შტეინერის თეორემა); მაშასადამე, ინერციის ცენტრის მიმართ ი. მ. უმცირესია.

ცენტრიდანული ი. მ. O წერტილში გავლებული მართკუთხა x, y, z ღერძების, სისტემის მიმართ ეწოდება სიდიდეებს, რ-ებიც განისაზღვრებიან $I_{xy} = \Sigma m_i x_i y_i$; $I_{yz} = \Sigma m_i y_i z_i$, $I_{zx} = \Sigma m_i z_i x_i$ ტოლობებით ან შესაბამისი მოცულობითი ინტეგრალებით. ეს სიდიდეები ახასიათებს მასების დინამიკურ გაუწონასწორებლობას.

ინერციის ღერძები მთავარი, სხეულის რომელიმე წერტილში გავლებული სამი ურთიერთმართობი ღერძი, რ-ებსაც ის თვისება აქვთ, რომ, თუ მათ კოორდინატთა ღერძებად მივიღებთ, მაშინ სხეულის ცენტრიდანული *ინერციის მომენტები* ამ ღერძების მიმართ ნულის ტოლი იქნება. თუ ერთ წერტილში დამაგრებული მყარი სხეული ბრუნავს იმ ღერძის ირგვლივ, რ-იც მოცემულ წერტილში მთავარი ი. ღ-ია, მაშინ სხეული, თუ გარე ძალები არ არსებობს, განაგრძობს ამ ღერძის, როგორც უძრავის, გარშემო ბრუნვას. მთავარი ი. ღ-ის ცნება დიდ როლს ასრულებს მყარი სხეულის დინამიკაში.

ინერციის ცენტრი, მასების ცენტრი, წერტილი, რ-იც ახასიათებს მასათა განაწილებას სხეულში ან მატერიალურ სისტემაში. ი. ც-ის კოორდინატები განისაზღვრება ფორმულებით:

$$x_c = \Sigma m_k x_k / M, \quad y_c = \Sigma m_k y_k / M, \quad z_c = \Sigma m_k z_k / M$$

ან (სხეულისათვის მასათა უწყვეტი განაწილებისას)

$$x_c = \frac{1}{M}\int_{(V)} \rho x dV, \qquad y_c = \frac{1}{M}\int_{(V)} \rho y dV,$$

$$z_c = \frac{1}{M}\int_{(V)} \rho z dV,$$

სადაც m_k არის სისტემის შემადგენელი მატერიალურ წერტილთა მასები, x_k, y_k, z_k — ამ წერტილთა კოორდინატები, $M = \Sigma m_k$ — სისტემის მასა, ρ — სიმკვრივე, V — მოცულობა. სხეულის მოძრაობისას მისი ი. ც. მოძრაობს როგორც მატერ. წერტილი, რ-ის მასა ისეთივეა, როგორიც მთელი სხეულის მასა და რ-შიც მოდებულია ამ სხეულზე მოქმედი ყველა ძალა. სხეულის წინსვლითი მოძრაობა მთლიანად განისაზღვრება მისი ი. ც-ის მოძრაობით. ი. ც-ის ცნება სიმძიმის ცენტრის ცნებისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელს აზრი აქვს მხოლოდ ერთგვაროვან სიმძიმის ველში მოთავსებული მყარი სხეულისათვის. ი. ც-ის ცნება არ არის დაკავშირებული ძალურ ველთან და აზრი აქვს ნებისმიერი მატერ. სისტემისათვის მისი ნებისმიერი მოძრაობისას.

ინერციული აკუმულატორი, მექანიკური ენერგიის დასაგროვებელი სპეც. მქნევარა, რ-საც იყენებენ სხვადასხვა მანქანისა და სატრანსპორტო საშუალებების ამძრავად. ჩვეულებრივი მქნევარასაგან განსხვავებით იგი დაგროვილ ენერგიას უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს, რასაც აღწევენ მქნევარას ღერძის სპეც. საკისარში მოთავსებითა და მქნევარას ბრუნვის დროს ჰაერის წინააღმდეგობის შემცირებით. ამიტომ მქნევარას ხშირად ისეთ გარსაცმში ათავსე-



ინდუქციურობის საზომები

ნახ. 1. „ვოლტ - ამპერმეტრის" მეთოდით ინდუქციურობის გაზომვის სქემა: A — ამპერმეტრი; V — ვოლტმეტრი; L_x—ინდუქციურობა; I—დენის ძალა; U—ძაბვა.



ნახ. 2. გაზომვის ბოგური სქემა; U — დენის წყარო; გ—გალვანომეტრი; R_1, P_2, R_3—ომური წინაღობანი; $C_ე$—ეტალონური ტევადობა; L_x—გასაზომი ინდუქციურობა.



ნახ. 3. გაზომვის რეზონანსული სქემა: მაგ—მაღალი სიხშირის გენერატორი; $L_ე$ — კავშირის ხვიები; L_x—გასაზომი ინდუქციურობა; $C_ე$—კოჭას საკუთარი ტევადობა; C_x — ეტალონური ტევადობა; მგ—მილაკიანი ვოლტმეტრი.

ინერტული აირები

ელემენტი	ატომური მასა
ჰელიუმი (He)	4,0026
ნეონი (Ne)	20,179
არგონი (Ar)	39,948
კრიპტონი (Kr)	83, 80
ქსენონი (Xe)	131, 30
რადონი (Rn)	222



ინერციული აკუმულატორი.

ბენ, რ-ზიც შექმნილია ვაკუუმი ან შევსებულია წყალბადით. ი. ა-ის მიერ დაგროვილი ენერგია რედუქტორების მეშვეობით მიმღებს შეიძლება მექან. ენერგიის სახითაც გადაეცეს. ი. ა-ს იყენებენ ქარის ძრავებში, ქარის ენერგიის არათანაბარი ჭავლის დროს გენერატორის ბრუნთა რიცხვის გასათანაბრებლად, სატრანსპორტო საშუალებების ამძრავად (იხ. *გირობუსი*). პერსპექტიულია ი. ა-ის გამოყენება დამუხრუჭების ენერგიის დასაგროვებლად, ეს ენერგია შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ავტომობილის გაქანების დროს, *რ. დგალი.*

ინერციული ნავიგაცია, სხვადასხვა მოძრავი ობიექტის (გემი, თვითმფრინავი, რაკეტა და სხვ.) კოორდინატებისა და პარამეტრების განსაზღვრის, აგრეთვე მათი მოძრაობის მართვის მეთოდები, რ-ებიც დამყარებულია სხეულის ინერციის თვისებებზე და არ საჭიროებს გარეშე ორიენტირებს ან გარედან შემოსულ სიგნალებს (ე. ი. ავტონომიურია).

ი. ნ-ის ამოცანათა განხორციელება შესაძლებელი ხდება მოძრავ ობიექტზე დადგმული ხელსაწყოებისა და მოწყობილობების გამოყენებით. მაგ., *აქსელერომეტრი* ობიექტის აჩქარებას განსაზღვრავს, *ელექტრონული გამომთვლელი მანქანა* აჩქარებათა ინტეგრირების მიხედვით — ობიექტის კოორდინატებს, კურსს, სიჩქარეს, გავლილ მანძილსა და სხვა პარამეტრებს, ხოლო *გიროსკოპული ხელსაწყოები* ათვლის სისტემის (მაგ., *გიროსტაბილიზებული ბაქნის*) დახმარებით — ობიექტის მობრუნებისა და დახრის კუთხეებს. ი. ნ. მოითხოვს მაღალ სიზუსტესა და ყველა მოწყობილობის მუშაობის საიმედოობას. ამ სიძნელეთა გადალახვა შესაძლებელია სპეც. ტექ. საშუალებით— *ინერციული სანავიგაციო სისტემით.*

ინერციული სანავიგაციო სისტემა, სანავიგაციო მოწყობილობა, რ-ის მუშაობას საფუძვლად უდევს მექანიკის კლასიკური კანონები. იყენებენ თვითმფრინავის, რაკეტის, კოსმ. ხომალდის, გემის და მისთ. კორდინატების, სიჩქარის, აჩქარების და ობიექტის მოძრაობის სხვა ძირითადი პარამეტრების განსასაზღვრავად. ი. ს. ს-ის ათვლის მთავარ (ამოსავალ) სისტემას, რ-ის მიმართაც წარმოებს ინერციული გაზომვები, წარმოადგენს ვარსკვლავების მიმართ უძრავი ინერციული სისტემა. ი. ს. ს-ს სხვა სანავიგაციო სისტემებთან (მაგ., რადიოსანავიგაციო სისტემასთან) შედარებით აქვს მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობანი (გამოყენების უნივერსალობა, მოძრაობის ძირითადი პარამეტრების დადგენის შესაძლებლობა, მოქმედების ავტონომიურობა, აბსოლ. დაბრკოლებადაცულობა). ი. ს. ს-ის მოქმედების პრინციპი ობიექტის წინსვლითი მოძრაობის მოდელირებაში მდგომარეობს. მოდელის მიმღები ელემენტის მოძრაობის განტოლება კოორდინატთა ინერციულ სისტემაში მოძრაობის მთავარი განტოლებაა და ზოგადად შემდეგი სახე აქვს:

$$w = \frac{d^2 r_m}{dt^2} - F(r_m),$$

სადაც w —აჩქარებაა, r_m—M წერტილის (მიმღები ელემენტის სიმძიმის ცენტრი) რადიუს-ვექტორი ინერციული სისტემის კოორდინატებში, F — მიმღები ელემენტის მასის ერთეულის მიზიდულობის ძალა M წერტილში (გრავიტაციის აჩქარება). *აქსელერომეტრით* ზომავენ ამოსავალ პარამეტრს (აჩქარებას) და აინტეგრირებენ მთავარ განტოლებას სიჩქარისა და კოორდინატების დასადგენად. მოცემული მიმართულებით აქსელერომეტრის საზომი ღერძების ორიენტირებას ახდენენ *გიროსკოპული ხელსაწყოებით* ან ასტროსტაბილიზატორებით. მთავარი განტოლების ინტეგრირებისათვის იყენებენ გიროსკოპულ, ელექტრომექან. და სხვა ინტეგრატორებს.

ინესსივი (ლათ. inessivus), ლოკატიური ბრუნვა; აღნიშნავს ყოფნას რისამე შიგნით. მაგ., ბასკ. etxe-a-n „სახლში". ახასიათებს იბერ.-კავკ. და ბასკურ ენებს.

ინვაზია (ლათ. invasio—თავდასხმა, შემოჭრა), ადამიანის, ცხოველისა და მცენარის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით. განარჩევენ აქტიურ ი-ს, როდესაც პარაზიტი „მასპინძლის" ორგანიზმში კანის საფარიდან შეიჭრება და დაიბუდებს, და პასიურს, როდესაც პარაზიტი ორგანიზმში წყალთან ან საკვებთან ერთად მოხვდება. იხ. *ინვაზიური დაავადება.*

ინვაზიური დაავადება, ადამიანისა და ცხოველის დაავადებანი, რ-თაც იწვევენ პარაზიტები — ერთუჯრედიანი უმარტივესები, ჭიები, ტკიპები და ზოგიერთი ფეხსახსრიანი. გამომწვევისდა მიხედვით განარჩევენ პროტოზოონოზებს (იწვევენ უმარტივესები), ჰელმინთოზებს (იწვევენ ჭიები), აკაროზებს (იწვევენ ტკიპები) და ანტომოზებს (იწვევენ მწერები). ი. დ-თა გამომწვევი შეიძლება იყოს სხეულის ზედაპირზე (ექტოპარაზიტები) ან ორგანიზმში (ენდოპარაზიტები). ი. დ-თა გამავრცელებელია უკვე დაავადებული ან პარაზიტის მატარებელი „მასპინძელი", რ-იც შეიძლება იყოს როგორც ადამიანი (ვითარდება ანთროპონოზები), ისე ცხოველი (ვითარდება ზოონოზები). ი. დ-თა გამომწვევები ორგანიზმში ხვდება სხვადასხვა გზით — უშუალო კონტაქტით (მაგ., მუნის შემთხვევაში), გამომწვევის ან მისი კვერცხების ჩაყლაპვის (ასკარიდოზის, ამებიაზის და სხვ. დროს), დაზიანებული კანიდან ლარვის შეჭრის (ანკილოსტომიდოზის, სტრონგილოიდოზის და სხვ. დროს) შედეგად და სხვ.

ინვაირონმენტალიზმი (<ინგლ. environment — გარემოცვა, გარემო), მიმდინარეობა ბურჟუაზიულ გეოგრაფიაში, რ-იც *გეოგრაფიულ გარემოს* მიიჩნევს საზბისა და საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მთავარ ფაქტორად. აღმოცენდა აშშ-ში. ი-ის მიხედვით, მეურნ. განვითარება და განლაგება განპირობებულია ამა თუ იმ ტერიტ. ბუნების თვისებებით. ი-ის წარმომადგენელთა (ე. სემპლი, რ. სმითი, ჰ. ტეილორი) აზრით, ამავე ფაქტორებითაა წინასწარ განსაზღვრული შრომის საერთაშ. დანაწილებაც. ი-ის ერთ-ერთი მიმართულებაა ე. ჰანტინგტონის კლიმ. ოპტიმუმების თეორია, რ-ის მიხედვით „მსოფლიო ხელმძღვანელის" როლი ეკუთვნის იმ ქვეყნებს, რ-ებიც ზომიერ სარტყლებში მდებარეობენ. ი. და მსგავსი თეორიები რეაქციული ხასიათისაა და საფუძვლად უდევს *გეოგრაფიული დეტერმინიზმი.*

ინვალიდობა (<ლათ. invalidus—სუსტი, უძლური), ავადმყოფობის ან ტრავმის შედეგად პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა დროებით ან მუდმივად, ნაწილობრივ ან მთლიანად. ი. აერთიანებს ორ ცნებას: ბიოლოგიურს — ავადმყოფობის შედეგად ორგანიზმის ფუნქციის დარღვევას და სოციალურს — პროფესიული შრომის შეწყვეტას ან ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოზე გადასვლას, რის გამოც ავადმყოფს სჭირდება სოც. დახმარება ან სხვა სახის შეღავათები.

განარჩევენ პირველად და საერთო ი-ს. პირველად ი-დ ითვლება წლის განმავლობაში პირველად აღიარებულ ინვალიდთა რაოდენობა, ხოლო საერთო ი-დ კი ინვალიდთა მთლიანი რაოდენობა. საერთო ი-ის რიცხობრივი ზრდა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მოსახლ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას და შეიძლება იყოს ინვალიდთა გარკვეული ნაწილის წარმატებითი მკურნალობის და მათი სიცოცხლის გახანგრძლივების შედეგი, რაც იწვევს ი-ის საერთო რაოდენობის მატებას. ი-ის დონის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მოსახლ. მოთხოვნა სხვადასხვა სახის (ამბულატორიული, სტაციონარული, სანატორიული) სამედ. დახმარებაზე, დადგინდეს საზ. და სახელმწ. დახმარების, შეღავათებისა და მატერ. უზრუნველყოფის ოდენობა, პენსია, კომუნალური, საყოფაცხოვრების და ტრანსპორტით მომსახურება, ინვალიდთა სახლებში განწესება და სხვ. (იხ. *სოციალური დაზღვევა* და *სოციალური უზრუნველყოფა*).

სსრკ-ში შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის მიხედვით ინვალიდები იყოფიან 3 ჯგუფად: I ჯგ. ინვალიდები არიან ის პირები, რ-თაც სავსებით დაკარგეს შრომისუნარიანობა საბოლოოდ ან ხანგრძლივად და სჭირდებათ მუდმივი მოვლა (დახმარება ან მეთვალყურეობა); II ჯგ. ინვალიდები — ვინც სავსებით დაკარგა შრომისუნარიანობა საბოლოოდ ან ხანგრძლივად, მაგრამ არ სჭირდება მუდმივი დახმარება (მოვლა ან მეთვალყურეობა) ან ვისაც დაავადების გაუარესების გამო (შრომითი საქმიანობის გავლენით) დიდი ხნით ეკრძალება ყოველგვარი შრომა; III ჯგ. ინვალიდებია, ვისაც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით სჭირდება სხვა, ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანა ან ვისაც რაიმე ანატ. დეფექტი ან დეფორმაცია აქვს, რაც საგრძნობლად აძნელებს პროფ. შრომას.

სსრკ-ში შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს — ი-ის ჯგუფს ადგენს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია (სშკ). მკურნალობისა და სოც. ფაქტორების გავლენით შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი ხშირად იცვლება, ამიტომ დაწესებულია ინვალიდთა გადამოწმების სხვადასხვა ვადა ი-ის ჯგუფების მიხედვით. ანატ. დეფექტების ან შეუცვალი ქრონ. დაავადებების მქონე ნებისმიერი წლოვანების ინვალიდებს, აგრეთვე ინვალიდ მამაკაცებს 60 წლის და ქალებს 55 წლის ზევით უდგენენ უვადო ი-ს. გადამოწმების შედეგად ინვალიდების ნაწილი უბრუნდება შრომით საქმიანობას, მათ შეიძლება შეეცვალოთ ი-ის ჯგუფი. საქ. სსრ-ში გადამოწმების შედეგად ი. მოეხსნა 1970—7,5%-ს, 1974—9,3%-ს. სსრკ-ში ინვალიდები სარგებლობენ სოც. დახმარებითა და სხვ. სახელმწ. და საზ. შეღავათებით; დახმარების მნიშვნელოვანი ფორმაა ინვალიდთა შრომითი მოწყობა და აწ. პროფესიის დაუფლება (კვალიფიკაციის შეცვლა). *ი. ბაბუციძე.*

ინვარიანტები (ლათ. invarians, ნათ. პრ. invariantis—უცვლელი), რაიმე მათემატიკურ ობიექტთან დაკავშირებული რიცხვები, ალგებრული გამოსახულებები და ა. შ., რ-ებიც უცვლელი არიან ამ ობიექტის გარკვეული გარდაქმნის ან ამ ათვლის სისტემის გარდაქმნის დროს, რ-ზიც განხილება ობიექტი. იმისათვის, რომ აღვწეროთ რაიმე გეომ. ფიგურა და მისი მდებარეობა რიცხვების საშუალებით, როგორც წესი, საჭირო ხდება რაიმე დამხმარე ათვლის სისტემის ან საკოორდინატო სისტემის არჩევა. ასეთ სისტემაში მიღებული $x_1, x_2, \ldots, x_n$ რიცხვები ახასიათებენ არა მარტო შესასწავლ გეომ. ფიგურას, არამედ მის დამოკიდებულებას ათვლის სისტემასთან, ამიტომ ამ სისტემის ცვლილებასთან ერთად ფიგურას შეესაბამება სხვა $x'_1, x'_2, \ldots, x'_n$ რიცხვები. ამის გამო კი, თუ რომელიმე $f(x_1, x'_2, \ldots, x_n)$ გამოსახულება დამახასიათებელია ფიგურისათვის, ის გამოსახულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ათვლის სისტემაზე, ე. ი. $f(x_1, x_2, \ldots, x_n) = f(x'_1, x'_2, \ldots, x'_n)$. ყველა გამოსახულებას, რ-იც ტოლობას აკმაყოფილებს ეწოდება ინვარიანტი. მაგ., M_1M_2 მონაკვეთის მდებარეობა სიბრტყეზე მართკუთხოვან კოორდინატთა სისტემაში განისაზღვრება რიცხვთა ორი წყვილით (x_1, y_1) და (x_2, y_2) — M_1 და M_2 ბოლოების კოორდინატებით. კოორდინატთა სისტემის გარდაქმნის დროს (სათავის გადანაცვლება და ღერძების მობრუნება) M_1 და M_2 წერტილები ღებულობენ ახალ (x'_1, y'_1) და (x'_2, y'_2) კოორდინატებს, მაგრამ $(x_1-x_2)^2+(y_1-y_2)^2=(x'_1-x'_2)^2+(y'_1-y'_2)^2$. ამი-

ომ $(x_1-x_2)^2+(y_1-y_2)^2$ გამოსახულება რმოადგენს მართკუთხოვანი კოორდინატების გარდაქმნის O-ს, რ-ის გეომ. შინაარ- თვალსაჩინოა, იგი M_1M_2 მონაკვეთის გრძის კვადრატია.

O-ის ცნებას იყენებდა ჯერ კიდევ გერმ. თემატიკოსი ო. ჰესე (1844), მაგრამ O-ის ეორიის სისტემური განვითარება დაიო ინგლ. მათემატიკოსმა ჯ. სილვესტერ- (1851—52), რ-მაც შემოიღო ტერმინი ,“ XIX ს. II ნახევარში O-ის თეორია რმოადგენდა ინტენსიური კვლევის სანს. ამ თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გერმ. მათემატიკოსმა დ. *ჰილბერტმა*.

ლიტ.: Вейль Г., Классические группы, их инварианты и представления, пер. англ., М., 1947; Погорелов А. В., Аналитическая геометрия, 3 изд., М., 1968.

ინვარიანტობა, უცვლელობა, ფიზიკური რობებისაგან დამოუკიდებლობა. O-ს ხშირად განიხილავენ მათ. თვალსაზრისით ოგორც რომელიმე სიდიდის უცვლელობას ,იმე გარდაქმნის მიმართ (იხ. *ინვარიანტები*). მაგ., კინეტიკური ენერგია ინვარიანტულია ათვლის სისტემის სივრცითი ემობრუნების მიმართ. გარდაქმნების მნიშელოვანი შემთხვევაა კოორდინატისა და როის გარდაქმნა ერთი ათვლის ინერციული სისტემიდან მეორეში გადასვლისას *ურენცის გარდაქმნები*). სიდიდეებს, ებიც ასეთი გარდაქმნებისას არ იცვლეიან, ლორენცი-ინვარიანტებს უწოდებენ. მჭიდროდაა დაკავშირებული *შენახვის ნონებთან*.

ინვენტარიზაცია, მატერიალურ ფასეულობათა (ძირითადი და საბრუნავი ფონების) ნივთობრივი ფორმით არსებობისა ა მდგომარეობის, აგრეთვე, ბანკში ანგარიშზე სახსრების ნაშთის, დებიტორებსა ა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შეიწყობა. O. სოციალ. საკუთრების დაცვის, ,ლეულის, მასალის, მზა ნაწარმის ხასიათობრივი მდგომარეობის, სასაწყობო მეურნეობის სწორი გაძღოლისა და მიმდინარე აღრიცხვის კონტროლის ერთ-ერთი ,ნიშვნელოვანესი ხერხია. სსრკ-ში იგი ,ცილებელია ყველა სახელმწ., კოოპ. და ,ზ. საწარმოში, ორგანიზაციასა და დაესებულებაში. O. არის მთლიანი და ნაელობრივი, გეგმიანი და უეცარი. მთლიანი O. მოიცავს საწარმოს ყველა სახის საუალებისა და საანგარიშსწორებო ურთიერთობის შემოწმებას. ნაწილობრივი O. არდება იმ სახის საშუალებებზე, რ-თაც ,ზ. თვისებების გამო შენახვის დროს შეეღება ბუნებრივი დანაკლისი აღმოაჩნდეს. ,გეგმიანი O. ტარდება წლის მანძილზე დამკიცებული კალენდარული გრაფიკის მიდვით, უეცარი — მატერ. და ფულადი ,შუალებების გაფლანგვისა და დატაცების ავიდან ასაცილებლად ან დანაკარგის დენობის დასადგენად. O-ის ჩატარება ,ალება საწარმოს ხელმძღვანელების მიერ ანიშნულ კომისიას, რ-საც ხელმძღვანელობს საწარმოს უფროსი ან მისი მოადგილე და მონაწილეობს მთავარი ან უფროსი ,ბუღალტერი. O-ის ჩატარების წესს განზღვრავს სამინისტრო და უწყება:

ინვენცია (ლათ. inventio — გამონაგონი), მცირე ზომის მუსიკალური პიესის ,ხელწოდება. O. მიუთითებს გამონაგონის ოლზე პიესის მელოდიკისა და ფორმის ,ნვითარებაში. პირველად ტერმინი „O.“ ,ხმარა ფრანგმა კომპოზიტორმა კ. ჟანენმა (1555). საყოველთაოდ ცნობილია ს. ბახის O-ები კლავირისათვის (1720—3). ზოგჯერ ტერმინ „O-ს“ XX ს. კომზიტორებიც ხმარობენ (გ. როიტერი— ,ერმანია, ბ. ბლახერი — გფრ, ა. ხაჩატუიანი — სსრკ და სხვ.).

ინვერკარგილი (Invercargill), ქალაქი ,ა ნავსადგური ახალ ზელანდიაში, სამხრ. ,ენბულზე, მდ. ნიუ-რივერის ესტუარის ,პირზე. 54 ათ. მცხ. (1976). სარკინიხო კვანძი. მატყლის გადასამუშ., საფქვა, ყველის, ლუდის საწარმოები.

ინვერსია (ლათ. inversio — გადასმა), 1. ამა თუ იმ ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათრიგის შეცვლა. მაგ., თანამედროვე ქართულისათვის ჩვეულებრივია მსაზღვრელის დასმა საზღვრულის წინ, მაგ., „გულსაკლავი დაცინვა“; მაგრამ შესაძლებელია რიგი შეცვალონ: „... და შეწყვიტე, თუ ღმერთი გწამს, ეგ დაცინვა გულსაკლავი“ (გ. ტაბიძე). ქართ. წინადადებაში სიტყვათა განლაგება არ არის მტკიცე (გრამატიკულად შეპირობებული), მაგრამ მაინც არსებობს ჩვეულებრივი რიგი: ქვემდებარე — წინადადების თავში, შემასმენელი — ბოლოში. დანარჩენი წევრების განლაგებაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია. 2. ქართ. გარდამავალი ზმნის ულვლილებაში — სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნების ფუნქციების ურთიერთშენაცვლება მწკრივთა (ნაკვთთა) III სერიაში: *გავაკეთე* — *გამიკეთებია*; *წამიყვანა* — *წავუყვანივარ*.

ინვერსია, 1. გეომეტრიაში — O ცენტრის მქონე და R რადიუსიანი წრეწირის მიმართ გარდაქმნა (იხ. ნახ.), რ-ის დროსაც P წერტილი გადადის P' წერტილში (ნახაზზე P და P' წერტილები მოცემულია რიცხვითი ინდექსებით), რ-იც მდებარეობს OP სხივზე და დაშორებულია ცენტრიდან $OP'=R^2/OP$ მანძილით. R^2 რიცხვს ეწოდება O-ის კოეფიციენტი. O-ის დროს წრფეები და წრეწირები გადადიან წრფეებსა და წრეწირებში, ამასთან, წრეწირები, მაგ., შეიძლება გადავიდეს წრფეებში და პირიქით. ანალოგიურად განიმარტება O. სივრცეში სფეროს მიმართ.

2. კომბინატორიკაში — გადანაცვლებაში ორი ელემენტის ნორმალური დალაგების დარღვევა, იმისგან დამოუკიდებლად, ერთმანეთის გვერდით არიან ისინი თუ განცალკევებულნი არიან ერთმანეთისაგან რაიმე ელემენტებით. მაგ., *bcade* გადანაცვლებაში ელემენტები *a* და *b* ადგენენ O-ს, თუ ნორმალურ დალაგებად მივიჩნევთ *abcde* დალაგებას.

ინვერსია ბიოლოგიაში, *ქრომოსომის* სტრუქტურის ცვლილება მისი ერთ-ერთი შიგნითა მონაკვეთის 180°-ით შემობრუნების შედეგად, რაც ერთ ქრომოსომში ორი ერთდროული გაწყვეტითაა გაპირობებული. იხ. აგრეთვე *ქრომოსომების სტრუქტურული გარდაქმნა*.

ინვერსია რელიეფისა, შებრუნებული რელიეფი, რელიეფის შეცვლა დენუდაციის შედეგად და გეოლ. სტრუქტურების საწინააღმდეგო რელიეფის ფორმების წარმოქმნა (მაგ., ანტიკლინზე გამომუშავებული მდინარის ხეობა, სინკლინზე — ქედი).

ინვერსია ტემპერატურისა ატმოსფეროში, ტროპოსფეროში ჰაერის ტემპერატურის მატება სიმაღლის ზრდასთან ერთად ნაცვლად ჩვეულებრივი კლებისა. O-ს ახასიათებენ ჰაერის ინვერსიული ფენის სიმაღლით მიწის ზედაპირიდან, ფენის სისქით და ტემპ-რათა სხვაობით ფენის ზედა და ქვედა საზღვრებს შორის. წარმოქმნის პირობების მიხედვით განარჩევენ რადიაციულ, ანტიციკლონურ, ოროგრ., დინამ. და სხვა O-ებს. თერმოდინამ. თვალსაზრისით ინვერსიული ფენები ძალზე მდგრადია და ხელს უშლის ატმოსფეროში ჰაერის ვერტ. ნაკადების გავრცელებას, კერძოდ, გროვა ღრუბლების გაჩენას.

ინვერსია ტექტონიკური, *გეოსინკლინის* განვითარების მნიშვნელოვანი სტადია, რ-ის დროსაც დედამიწის ქერქის დაძირვას ცვლის აზევება და გეოსინკლინის ადგილზე მთათა სისტემა ვითარდება. O-სთანაა დაკავშირებული შრეთა დანოჭება, მთების ზრდა, გრანიტების შეჭრა, რეგიონული მეტამორფიზმი.

ინვერსირება ელექტროენერგეტიკაში (ლათ. inverto — ვაბრუნებ, ვცვლი), მართვადი ელექტრული ვენტილებისაგან (იხ. *ვენტილი* ელექტრული) შემდგარი მოწყობილობის მეშვეობით მუდმივი ელექტრული დენის გარდაქმნა ერთ- ან მრავალფაზიან ცვლად დენად. O. გამართვის შებრუნებული პროცესია. პრაქტიკაში იყენებენ O-ის რამდენიმევენტილიან სქემებს. ენერგიის დანაკარგი O-ისას დამოკიდებულია ვენტილებში ძაბვის (ΔV) ვარდნაზე. ვერცხლისწყლის ვენტილებში ΔV რამდენიმე ათეულ *ვ* არ აღემატება. თუ მუდმივი ძაბვა რამდენიმე *კვ*, დანაკარგი ვენტილებში O-ის დროს 1%-ზე ნაკლებია. სქემის დანარჩენ ნაწილებში კი ჩვეულებრივ რამდენიმე %-ს არ აღემატება. სრული მქკ O-სას 90%-ზე მეტია.

ინვერსიული კასკადი, ფაზაინვერსიული ანუ პარაფაზური კასკადი, ტრანზისტორული ან ელექტრონმილაკიანი მაძლიერებელი კასკადი, რ-ის გამოსასვლელზე მიიღება ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაზის ორი ტოლამპლიტუდიანი ელექტრული ძაბვა. O. კ-ს იყენებენ უმთავრესად ბგერითი სიხშირის რხევათა სიმძლავრის ორტაქტიან მაძლიერებლებში.



ინვერსია (გეომეტრიაში).

ინვერტორი (<ლათ. inverto—გარდავქმნი), 1. რადიოტექნიკაში, ელექტრული წრედი ან ელექტრონული მოწყობილობა, რ-ის გამოსასვლელზე ამპლიტუდის ცვლილება, ელექტრული სიგნალის პოლარობა ან ფაზა შესასვლელი სიგნალის საწინააღმდეგოა. რადიოტექნიკურ აპარატურაში O-ს (ე. წ. ფაზაინვერტორს) იყენებენ ორი ერთნაირი ამპლიტუდისა, მაგრამ საწინააღმდეგო ფაზის მქონე სიგნალების მისაღებად. 2. გამოთვლითი ტექნიკაში O. ციფრული გამმთვლელი მანქანის მოწყობილობაა. რ-საც იყენებენ ლოგიკური უარყოფის ოპერაციის სარეალიზაციოდ. 3. ელექტროტექნიკაში O. მუდმივი დენის ცვლად დენად გარდამქმნელი და ენერგიის მუდმივი დენის ქსელიდან ცვლადი დენის ქსელში გადამცემი მოწყობილობა.

ეპისკოპოსის ინვესტიტურა მეფის მიერ. მინიატიურა. XII ს. დასაწყისი.

ინვესტიტურა (აგვიანდ. ლათ. Investitura, <investio — შეგმოსავ), სენიორის (პატრონის) მიერ ვასალისთვის (ყმისთვის) ფეოდის (ლენის) გადაცემის, თანამდებობაზე დანიშვნის, წოდების მინიჭების იურიდიული აქტი, რ-იც თან სდევდა ვასალის ერთგულების ფიცს (იხ. *ომაჟი*) და მასთან ერთად განამტკიცებდა ვასალურ დამოკიდებულებას (იხ. *ვასალიტეტი, პატრონყმობა*). ვინაიდან საერო ხელისუფალნი პრელატებს — ეპისკოპოსებსა და აბატებს თავიანთ ვასალებად თვლიდნენ, მათაც ადებინებდნენ ერთგულების ფიცს და უბოძებდნენ O-ს. IX ს. დამლევიდან, პაპობისა და დასავლეთის ქრისტ. ეკლესიის დაცემის ხანაში, არსებითად დაკანონდა საერო ხელისუფალთა მიერ პრელატების დანიშვნა, რამაც შეცვალა სამღვდელოებისა და ხალხის მიერ მათი არჩევა (არჩევნებს ცვლიდა აკლამაცია — მოწონების წამოძახილი). პრელატთა საერო O., ისევე როგორც მასთან დაკავშირებული *სიმონია*, ზრდიდა პრელატთა დამოკიდებულებას საერო ხელისუფალთაგან, რასაც თან სდევდა სამღვდელოების ზნეობრივი დაცემა და *ბენედიქტის* წესის დარღვევა. პაპებიც დამოკიდებულნი გახდნენ საერო ხელისუფალთაგან. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს *კლუნიელებმა*. რომის პაპები გრიგოლ VI (1045—46), ლეო IX (1049—54), ვიქტორ II (1054—57), ნიკოლოზ II (1059—61), ალექსანდრე II (1061—73) და განსაკუთრებით *გრიგოლ VII* (1073—85) იბრძოდნენ ცელიბატის დარღვევისა და სიმონიის წინააღმდეგ. 1059 აპრ. დეკრეტით რომის საეკლ. კრებამ დააკანონა პაპების არჩევა *კარდინალების* მიერ. 1075 გრიგოლ VII-მ აკრძალა საერო O. და წამოიწყო იმპერატორ *ჰაინრიხ IV-ის* წინააღმდეგ O-თვის ბრძოლა, რ-იც გადაეხლართა

ინკები

ბრმა. კერამიკული ჭურჭელი. მოჩიკას კულტურა. VI ს. კერძო კუთვნილება.



კერამიკული ჭურჭელი. მოჩიკას კულტურა. V ს. პ. გაფრონის კოლექცია. ჩიკაგო.

კერამიკული ჭურჭელი. მდ. ნასკის ველი V ს. პ. გაფრონის კოლექცია. ჩიკაგო.



ინკვიზიციის ტრიბუნალის მიერ განაჩენის გამოცხადება. ფ. გოიას ოფორტი სერიიდან „კაპრიჩოსი".

გერმ. მთავრების ბრძოლას იმპერატორის წინააღმდეგ (იხ. *კანოსა*). პაპებმა ურბან II-მ (1088 — 99) და პასხალიოს II-მ (1099 — 1118) განაგრძეს O-თვის ბრძოლა, რ-იც დასრულდა 1122 წ. 23 სექტ. *ვორმსის კონკორდატით*. საფრანგეთსა და ინგლისში O-თვის ბრძოლას არ მიუღია ასეთი მწვავე ხასიათი და შეთანხმებით დასრულდა: კათოლ. ეკლესიამ (საფრანგეთში 1104 და ინგლისში 1107) მიაღწია სამეფო ხელისუფლების მიერ სას. O-ზე უარის თქმას, თუმცა, მიუხედავად ამისა, მეფეები მაინც ახდენდნენ გავლენას პრელატთა არჩევნებზე. *გ. ყორდანია.*

ინვესტიცია (გერმ. Investition<ლათ. investio — ვაცმევ), კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება სახალხო მეურნეობის დარგში (ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთაც მოგების მიღების მიზნით). ბურჟ. ეკონ. მეცნიერებაში განასხვავებენ ფინანს. და რეალურ O-ებს. O. ფინანსური — კაპიტალის დაბანდება კორპორაციის ან სახელმწიფოს მიერ გამოშვებული აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შესასყიდად. O. რეალური — კაპიტალის დაბანდება ძირითად საწარმოო კაპიტალში. O. ხორციელდება კერძო კორპორაციებისა და სახელმწიფოს მიერ. კერძო კორპორაცია კაპიტალს აბანდებს სახ. მეურნ. იმ დარგებში, სადაც მეტი მოგება მიიღება (უპირველესად მრეწველობაში), სახელმწიფო კორპორაცია კი — მცირეშემოსავლიან დარგებში, მაგ., *ინფრასტრუქტურაში*.

ინვექტივა [გვიანდ. ლათ. invectiva (oratio) < ლათ. invehor — თავს ვესხმი], მკაცრი, მამხილებელი საბრალმდებლო გამოსვლა ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ. O-ის ლიტ. ფორმა მრავალგვარია: ეპიგრამა, პოლემიკური სიტყვა, წერილი. O-ს შეიძლება შეიცავდეს ნაწარმოების ცალკეული ნაწილებიც.

ინვოლუცია (ლათ. involutio — ღუნვა. შედიდება), რეგრესი (ბიოლ.), ევოლუციის პროცესში ორგანოების რედუქცია ან გაქრობა, მათი ორგანიზაციისა და ფუნქციების გამარტივება. O-ს უწოდებენ აგრეთვე გარემოს გავლენით გამოწვეულ დეგენერაციულ ცვლილებებს უმარტივესებსა და ბაქტერიებში.

ინზა, ქალაქი (1946-მდე დაბა) რსფსრ ულიანოვსკის ოლქში, მდ. სიუქსიუმკის (სურის აუზი) ნაპირზე. ინზის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. დიატომიტის კომბინატი, ხის გადასამუშ., რძის, სახამებელ-ბადაგის ქ-ნები, ხორცკომბინატი, უქსოვი მატერიის ფ-კა, ხე-ტყის კომბინატი, სატყეო მეურნეობა.

ინი, შანი, ჩინელი ხალხის ისტორიის პირველი ეპოქისა და ადრინდელი სახელმწიფოს სახელწოდება (მე. წ. XVI—XI სს.). O-ის უკანასკნელი დედაქალაქი მდებარეობდა თანამედროვე ანიანის ახლოს, (პროვ. ხენანი). მოსახლ. მისდევდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მიწას ამუშავებდნენ უმთავრესად ქვისა და ხის იარაღით, მნიშვნელოვნად იყო განვითარებული ხელოსნური წარმოება, კერძოდ, ბრინჯაოს ჭურჭლის, საბრძოლო და სამეურნეო იარაღის დამზადება და სხვ. O-ის ეპოქაში გაჩნდა იეროგლიფური დამწერლობა. O-ის სახელმწიფოს ხანგრძლივი ომები ჰქონდა მეზობელ ტომებთან. მე. წ. XI ს-ში O-ის სახელმწიფოში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებითა და შინაომებით ისარგებლა ჯოუს ტომმა და O. გაანადგურა. საკითხი O-ის ეპოქის საზ. წყობილების შესახებ მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი.

ინი (Inn), მდინარე შვეიცარიაში, ავსტრიასა და გფრ-ში, დუნაის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 517 *კმ*, აუზის ფართ. 26,1 ათ. *კმ*². სათავე აქვს ალპებში. ქ. როზენჰაიმის ქვემოთ კვეთს ბავარიის პლატოს და მდ. დუნაისთან შეერთებამდე ჭრის ბავარიის ტყის შტოქედს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირეა შემოდგომასა და ზამთარში. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავთან დაახლ. 800 *მ*³/*წმ*, მაქს. — 7 ათ. *მ*³/*წმ*. სანაოსნოა მდ. ზალცახის შესართავიდან. იყენებენ ხეტყის დასაცურებლად. O-ის ნაპირზეა ქ. ინსბრუკი (ავსტრია).

ინიექცია (ლათ. injectio — შეგდება) (მედ.), სამკურნალო სითხის მცირე დოზის შეყვანა სხეულის ქსოვილებსა და ღრუებში; იგივეა, რაც *შეშხაპუნება*.

ინილჩეკი სამხრეთი და ჩრდილოეთი, ხეობის დატოტვილი მყინვარი ცენტრ. ტიან-შანში, მდ. ინილჩეკის სათავეებში (ყირგ. სსრ). სამხრეთი O. უდიდესი მყინვარია ტიან-შანში და სიგრძით მეორეა (ფედჩენკოს მყინვარის შემდეგ) სსრკ-ში. სიგრძე 59,5 *კმ*, ფართ. 800 *კმ*². ჩრდილოეთი O-ის სიგრძეა 38,2 *კმ*.

ინიციალები (ლათ. initialis— საწყისი), 1. სახელისა და გვარის, სახელისა და მამის სახელის პირველი ასოები. 2. დიდი, ზოგჯერ მხატვრულად გაფორმებული ასოები წიგნის ან ხელნაწერის თავის ან აბზაცის დასაწყისში.

ინიციატივა (ფრანგ. initiative<ლათ. initium — დასაწყისი), რაიმე საქმის თაოსნობა, საჭიროებისას დამოუკიდებელი აქტ. მოქმედების უნარი.

ინიციაცია (ლათ. initiatio — საიდუმლოებათა განდობა), გვაროვნულ საზ-ბაში გავრცელებულ ჩვეულებათა სისტემა, რ-იც დაკავშირებული იყო ახალგაზრდობის სქესობრივი მომწიფების პერიოდთან, ჭაბუკებისა და ქალიშვილების სრულწლოვან მამაკაცთა და ქალთა ასაკობრივ ჯგუფში გადასვლასთან (იხ. *ასაკობრივი კლასები*). O. მიზნად ისახავდა ახალგაზრდობის მომზადებას საწარმოო, საზ. და საოჯახო ცხოვრებისათვის. ეთნოგრ. მონაცემებით, O. მოიცავდა ახალგაზრდობის ფიზ. მოწიფულობის შემოწმებას წვრთნის, ვარჯიშის, ტკივილის გაძლების და ოპერაციის ჩატარებით (წინადაცვეთა, კბილების ჩამტვრევა, ჭრილობის მიყენება კანზე და სხვ.), აგრეთვე მათთვის ტომის საიდუმლოებათა განდობას, მითების გადაცემას და ა. შ. გადმონაშთებად მიიჩნევენ იუდაიზმსა და ისლამში შემონახულ წინადაცვეთის წესს, ქრისტიანებში — ნათლობას და სხვ. ზოგიერთი მკვლევარი O-ის საწყისებს პირველყოფილი ჯგუფის პერიოდს უკავშირებს.

ლიტ.: Семёнов Ю. И., Как возникло человечество, М., 1966.

ინკასო (იტალ. incasso), საბანკო ოპერაცია — ბანკი კლიენტის დავალებით იღებს იმ თანხას, რ-იც მას ერგება ფულადი, სასაქონლო ან საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე. კაპიტალ. ქვეყნებშა საინკასო ოპერაცია წარმოადგენს კომერც. მომსახურებას. მისი შესრულებისათვის ბანკი იღებს გასამრჯელოს, რ-ის ოდენობა განისაზღვრება ოპერაციის ხასიათითა და მყიდველისაგან გადასახდელის მიღების პირობებით. კაპიტალ. ქვეყნების ბანკები O-ზე იღებენ აქციებსა და ობლიგაციებს, აგრეთვე უცხოურ ვალუტას.

ეგზემიანი სოციალ. მეურნეობის პირობებში მეურნეობაში O. სახელშეკრულებო და ფინანს. დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სსრკ-ში O-ს იყენებენ საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანგარიშსწორების აქცეპტური ფორმით განხორციელებისას, აგრეთვე საერთაშ. ანგარიშსწორების დროს, რისთვისაც საგელმწ. და საგარეო ვაჭრობის ბანკები გარკვეულ საკომისიო გასამრჯელოს იღებენ.

ინკები (ესპ. inca), თავდაპირველად (XI—XIII სს.) პერუში მცხოვრები და კეჩუას ენობრივ ჯგუფში შემავალი ინდიელი ტომი, შემდეგში კი ტომთა კავშირის მიერ შექმნილი სახელმწიფოს გაბატონებული ფენა. O-ის სახელმწიფო — ტაუანტინსუიუ, რ-იც 1438 ჩამოყალიბდა, ად[illegible] კლასობრივი დესპოტია იყო. ხარკს კრ[illegible] ფდნენ დაპყრობილი ტომებისაგან, ექსპლ[illegible]ატაციას უწევდნენ რიგითი მეთემეები [illegible] ხელოსნებისა და მონების (იანაკონა) შრ[illegible]მას. მათი საზ-ბის ძირითადი სოც.-ეკო[illegible] უჯრედი იყო მეზობელი თემი — აილი[illegible] მიწა ითვლებოდა მმართველის—უზენაესი ინკის საკუთრებად, რ-ის ხელისუ[illegible]ლება საკრალური შარავანდედით ი[illegible]მოსილი; მათი პირველი მითური მმარ[illegible]ველი — მანკო კაპაკი მზის შვილად ი[illegible]მაჩნეული. O. იყენებდნენ ირიგაციას, აშ[illegible]ნებდნენ ადმ. და სამხ. დანიშნულების ნ[illegible]გებობებს. მათივე ეკუთვნის ინფორმაციი[illegible] გადაცემის თავისებური სისტემის, ე. [illegible] კვანძური წერის (კიპუ) შექმნა და დამწერ[illegible]ლობის ჩანასახური ფორმის შემუშავებ[illegible] 1532 ესპ. დამპყრობლებმა ფ. პისაროს [illegible] თაურობით დაიპყრეს და გაძარცვეს O-[illegible] სახელმწიფო, მათი კულტურა. ესპანელ[illegible] მიერ დამორჩილებული O. შემდგომ[illegible] კეჩუა ხალხის შემადგენლობაში შევიდნ[illegible]

O-ის არქიტექტურა ცნობილია აღ[illegible]რილობითა და შენობათა ნაგრეგებ[illegible] (ტაძრები, სასახლეები, ობსერვატორიებ[illegible] ამფითეატრები, ციხესიმაგრეები). უზა[illegible] მაზარი ქვებისაგან ნაგები უძველესი ც[illegible]ლოპური ნაგებობანი (საქსაუმანის ციხ[illegible] სიმაგრე კუსკოს მახლობლად) შეცვალ[illegible] გულმოდგინედ დამუშავებულმა, გრანიტ[illegible]ბლოკებით ნაგებმა შენობებმა (პისაკ[illegible] ციხესიმაგრე კუსკოს მახლობლად). O-[illegible] ხუროთმოძღვრება გამოირჩეოდა ჰარმ[illegible]ნიული და სადა ფორმებით, სიმკვრივი[illegible] მათ თითქმის არ ჰქონდათ დეკორი. შ[illegible] მორჩენილია ჭურჭელი, მ. შ. ფიგურულ[illegible] გაპრიალებული, შავზედაპირიანი, O-[illegible] საიუველირო ხელოვნების უმდიდრესი [illegible]გლები თითქმის მთლიანად განადგურ[illegible]

ინკვიზიცია (ლათ. inquisitio—ძებნა, [illegible] მობიება), XIII—XIX სს-ში საგანგებო [illegible] ეკლესიო სასამართლო რომის კათოლიკ[illegible] ეკლესიაში, რ-საც ეკისრებოდა მწვალებ[illegible]ლთა პოვნა და დასჯა—„მწვალებლური ა[illegible]კიერების ძიება". საფუძველი ჩაუყარა ჯ[illegible]კიდევ *ვალდენსებთან* და *კათარებთ*[illegible] ბრძოლის დროს პაპმა ლუციუს III-მ, რ-მ[illegible] 1184 იმპ. ფრიდრიხ I ბარბაროსასთან [illegible] თანხმებით შემოიღო საეპისკოპოსო [illegible] პრაქტიკულად O-მ თავისი საქმიანობა პა[illegible]ინოკენტი III-ის დროს დაიწყო. ლატერ[illegible]ნის მე-4 საეკლ. კრებამ (1215) მწვალებ[illegible]თა ძებნა და დასჯა ეპისკოპოსთა მთავ[illegible] ამოცანად გამოაცხადა. 1231—35 პაპ გრ[illegible]გოლ IX-ის მიერ გატარებულ ღონისძი[illegible]ბათა შედეგად მწვალებელთა დევნა დ[illegible]კისრათ სპეც. რწმუნებულებს — ინკვიზ[illegible]ტორებს (თავდაპირველად ინკვიზიტორ[illegible]ბად ინიშნებოდნენ დომინიკელი ბერებ[illegible] მოგვიანებით — ფრანცისკელებიც). საინ[illegible]კვიზიციო ტრიბუნალის წევრები სარგებ[illegible]ლობდნენ პირადი ხელშეუხებლობით [illegible] ექვემდებარებოდნენ არა ადგილ. საერო [illegible] საეკლ. ხელისუფალთ, არამედ უშუალო[illegible] პაპს. O-ის სასამართლო მოქმედებდა ფ[illegible]რულად. ეჭვმიტანილთ უმალავდნენ დამბ[illegible]ზღებლისა და მოწმეთა სახელებს. XIII [illegible] 60-იანი წლებიდან დაკითხვისას ბრალ[illegible]დებულთა გამოსატეხად შემოიღეს წამებ[illegible] O-ის მსხვერპლთ სჯიდნენ ეკლესიიდ[illegible] განკვეთით, მკაცრი მარხვით, გვემი[illegible] დროებითი ან სამუდამო პატიმრობით [illegible] სიკვდილით (იხ. *აუტოდაფე*). სიკვდილმი[illegible]ჯილს ართმევდნენ ქონებას და საგარო[illegible] ყიდდნენ. XV ს. დამლევიდან O. განსაკუთ[illegible]რებით მძვინვარებდა ესპანეთში, სად[illegible] იგი ესპ. აბსოლუტიზმის ბასრ იარაღ[illegible] იქცა. ესპ. მეფის მოთხოვნით პაპმა სიკ[illegible]ტუს IV-მ დიდ ინკვიზიტორად დ[illegible] ნიშნა დომინიკელი ტორკვემადა, რ-ი[illegible] 18-წლიანი მოღვაწეობის დროს ესპანეთშ[illegible] ცოცხლად დაწვეს 10 ათასზე მეტი კაც[illegible] O. გავრცელდა ესპ. და პორტუგ. ამერ[illegible]კულ სამფლობელოებში და ნიდერლანდშ[illegible]

ſ ს-ში O. იქცა კონტრრეფორმაციის
)-ერთ მთავარ იარაღად. 1542 პაპმა
ლე III-მ რომში დააარსა უზენაესი საინ-
ზიციო ტრიბუნალი, რ-საც სათავეში
ედგა კარდინალი კარაფა (შემდგომში
ᲞᲐᲞᲚᲔ IV). O-ს დაექვემდებარა ცენ-
ა, 1559 გამოიცა „ინდექსი აკრძალული
ნებისა". 1557 O. შემოიღეს პორტუგა-
ში. საფრანგეთში ანრი II-მ პროტეს-
ტთა წინააღმდეგ დააწესა ე. წ. „ცეცხ-
ᲞᲐᲚᲐᲢᲐ". გერმანიაში O. მოისპო რე-
ᲛᲐᲪᲘᲘᲡ გავრცელების შედეგად. ინგ-
ში O. შემოიღეს ᲚᲝᲚᲐᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ ბრძო-
ᲛᲘᲖᲜᲘᲗ (1401), გაუქმდა 1558. XVIII
ᲒᲐᲜ დაიწყო O-ის მოსპობა დასავლეთის
ქვეყნებშიც. როგორც უმაღლესი ინს-
ᲪᲘᲐ რწმენის საკითხებში, O. იტალია-
განაგრძობს არსებობას „რწმენის კონ-
ᲒᲐᲪᲘᲘᲡ" (1965-იდან) სახით და დაკის-
ული აქვს აგრეთვე კომუნიზმთან ბრძო-
ᲛᲘᲡ ფუნქცია.
ᲚᲘᲢ.: Г р и г у л е в и ч И. Р., Ис-
ᲘᲐ ᲘᲜᲙᲕᲘᲖᲘᲪᲘᲘ, М., 1970 (ბიბლიოგრ.);
Г. Ч., История инквизиции в средние
., т. 1—2, СПб., 1911 –12.
Გ. ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ.

ᲕᲘᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ (ლათ. in-
itio — გამოკვლევა, გამოძიება), სისტ-
სამართლებრივი პროცესის ფორმა,
Ს დროსაც დანაშაულს უშუალოდ სასა-
ᲛᲐᲠᲗᲚᲝ იძიებს, ე. ი. ბრალდების, სასა-
ᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲐ და დაცვის ფუნქციებს ერთი
ᲝᲒᲘᲒᲔ ორგანო ასრულებს. O. პ. გან-
ᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ დამახასიათებელია ფეოდ.
ᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. იხ. აგრეთვე *სამ-
ᲠᲗᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ.*

ᲘᲗᲘ, რელიეტური ტბა ბიჭვინთის კო-
ᲮᲔ. აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს
ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ, ზ. დ. 1 *მ*, სარკის ფართ.
*კმ*², უდიდესი სიღრმე 3,2 *მ*, წყლის
ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ 810 ათ. *მ*³. ადრე ტბიდან ნა-
ᲬᲚᲘ გაედინებოდა, წყალი მტკნარი
ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ტბის დონის ხელოვნურად
ᲓᲙᲘᲡ გამო, ტბაში ზღვის წყალმა
Ი შეჟონვა და წყლის მარილიანობა 5
Გ-მდე გაიზარდა. O-ში 10 სახეობის
ᲗᲔᲤᲨᲘ. თევზის რეწვა პერიოდულია.
Ო. ᲐᲤᲬᲐᲖᲐᲫᲔ.

ᲚᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ (<ლათ. inclino — დაეს-
, მაგნიტური დახრილობის (იხ. *დე-
ᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲖᲛᲘ*) საზომი ხელსაწყო.
ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ იყოს ისრიანი და ინდუქციუ-
ᲘᲡᲠᲘᲐᲜᲘ O. არის მაგნ. ისარი,
Ს მისი სიმძიმის ცენტრში გამავალი
ᲠᲘᲖ. ღერძის გარშემო ბრუნავს, თუ
ᲓᲕᲘᲡ ღერძი მაგნ. მერიდიანის სიბრ-
Ს მართობულია, ისარი დედამიწის
. ველის ზემოქმედებით მაქსიმალურად
ᲐᲠᲓება. ისრის მაგნ. ღერძსა და ჰორიზ.
ᲠᲘᲢᲣᲚᲘ შორის შექმნილი კუთხე მაგნ.
ᲓᲐᲠᲘᲚᲝᲑის ტოლია. ᲘᲜᲓᲣᲥᲪᲘᲣᲠᲘ
მოქმედება ემყარება ელექტრომაგნ.
ᲣᲥᲪᲘᲘᲡ მოვლენას. თუ დედამიწის მაგნ.
ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ სიბრტყეში მოთავსებულ მბრუ-
ᲙᲝᲜᲢᲣᲠᲨᲘ ინდუქციური დენი არ წარ-
ᲛᲝᲥᲛნება, მაშინ კონტურის ბრუნვის ღერ-
ᲫᲐᲒნ. დაძაბულობის ვექტორის თანხვე-
ᲚᲘᲐ და კუთხე კონტურის ბრუნვის
ᲦᲘᲡᲐ და ჰორიზონტს შორის შეესაბამება
. დახრილობის სიდიდეს. *Ა. ᲩᲮᲔᲢᲘᲐ.*

ᲚᲘᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘ (ლათ. inclino—დავხრი
...*ᲛᲔᲢᲠᲘ*), ჭაბურღილის სიფრცული
ᲐᲠᲔᲝᲑის საკონტროლო ხელსაწყო.
ᲨᲘ ფართოდ გავრცელებულია იკ-2 ტი-
Პ., რ-იც შედგება სიღრმული გადამწო-
Ს და მარეგისტრირებელი სადგურისა-
(მართვის პანელი). გადამწოდის მდე-
ᲒᲝᲑას ჭაბურღილში განსაზღვრავს სამი
ᲨᲜობიარე ელემენტი: ჩარჩო, შვეულა
ᲬᲣსოლი (იხ. ნახ.). ჩარჩოს ზედა ნა-
ᲬᲘ მოთავსებული კოლექტორისა და
Ბის მეშვეობით მართვის პანელის
ᲘᲗ სქემას უერთდება კუთხეების (ან
ᲙᲣᲗᲮᲔᲑის) რეოქორდი, რ-ის წინაღობა
ᲓᲛᲣᲚ წერტილში ჭაბურღილის ღერ-
. შვეული მიმართულებიდან გადახრის
ᲙᲣᲗᲮის (აზიმუტის) პროპორციულია. კუ-
თხე და აზიმუტი ფიქსირდება ელექტრო-
მაგნიტიანი გადამრთველი მექანიზმით.
ჭაბურღილში სიღრმული გადამწოდი დის-
ტანციურად იმართება საკაროტაჟო კაბე-
ლით.

ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ (< ლათ. includo — ჩავურ-
თავ, ჩავრიცხავ), მრავლობითი რიცხვის
I პირის საგანგებო ფორმა, როცა «ჩვენ»
გულისხმობს «მე+შენ // თქვენ»; მაგ., სვა-
ნურში ლ-იშხუნი-დ («მე და შენ // თქვენ»
ვინახავთ), ლ-იკე-დ («მე და შენ // თქვენ»
ვიღებთ), ლ-ამარე-დ («მე და შენ // თქვენ»
ვამზადებთ). O-ის საპირისპირო ფორმაა
ᲔᲥᲡᲚᲣᲖᲘᲕი.

ᲘᲜᲙᲝᲒᲜᲘᲢᲝ (იტალ. incognito < ლათ.
incognitus — უცნობი), 1. თავისი ვინა-
ობის გაუმჟღავნებლად, ფარულად. 2.
პირი, რ-იც მალავს თავის ვინაობას (არა-
დანაშაულებრივი მიზნით) და სხვის სა-
ხელს ატარებს.

ᲘᲜᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ (გვიანდ. ლათ. incor-
poratio — შთასხეულება < ლათ. in—-ში
და corpus — სხეული) ᲚᲘᲜᲒᲕᲘᲡ-
ᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ერთ სიტყვაში (ძირითადად
ზმნაში) სუბიექტის, ობიექტის, იარაღის,
თვისების, გარემოების და სხვ. აღმნიშვნე-
ლი ელემენტების ჩართვა. დამახასიათე-
ბელია რთული კომპლექსი, რ-იც თავისი
მნიშვნელობით აღემატება სიტყვას (მოი-
ცავს რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს) და
უახლოვდება სხვა ენათა შესიტყვებას,
აგებულებით კი არ უდრის შესიტყვებას,
ვინაიდან არ იშლება დამოუკიდებელ სი-
ტყვებად. „მაგ., ჩუქჩურად: — ты—тэин'ы
левты—пыгты—ркын „მე ძალიან მტკივა
თავი".

ᲘᲜᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ,
მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატ-
იული აქტების სისტემატიზაციის ერთ-ერთი
ხერხი, რ-ის დროსაც მთელი სამართ. მა-
სალა ერთიანდება და განლაგდება გარკვე-
ული წესით (ქრონოლოგიურად, სამართ.
დარგების მიხედვით და სხვ.) მათში არსე-
ბითი ცვლილებების შეუტანლად. იხ. აგ-
რეთვე *კოდიფიკაცია.*

ᲘᲜᲙᲝᲠᲞᲝᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ, ენათა მორ-
ფოლოგიურ კლასიფიკაციაში ერთ-ერთი
ტიპის სახელწოდება. ამ ენებისათვის და-
მახასიათებელია *ინკორპორაციის* გამო-
ყენება. O. Ე-ში დადასტურებულია აგლუ-
ტინაციაც. O. Ე-ა პალეოაზიური ენები,
ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ენები.

ᲘᲜᲙᲞᲘᲜᲘ (Inkpin) ალბერტ (1884—29.
III. 1944, ლონდონი), ინგლისის მუშათა
მოძრაობის მოღვაწე. 1904-იდან შევიდა
ს.-დ. ფედერაციაში. 1913 აირჩიეს ბრიტ.
სოციალ. პარტიის გენ. მდივნად. დიდი
ბრიტ. კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსე-
ბელი (1920). აქტიურად იბრძოდა ანტი-
საბჭ. ინტერვენციის წინააღმდეგ. 1930-
იდან ხელმძღვანელობდა „საბჭოთა კავ-
შირის მეგობართა" საერთაშორისო, შემ-
დეგ კი ინგლ. საზ-ბას.

ᲘᲜᲙᲠᲘᲛᲘᲜᲘᲠᲔᲑᲐ (ლათ. in—-ში და cri-
men—დანაშაული, ბრალი), ბრალდების
წაყენება რაიმე დანაშაულის ჩადენაში.

ᲘᲜᲙᲠᲣᲡᲢᲐᲪᲘᲐ (ლათ. incrustatio<incr-
ustо — ვფარავ ფენით ან ქერქით,
ვაწყობ მარმარილოთი), ნაკეთობის ან
შენობის (ფასადის, ინტერიერის) დეკორი-
რების სახეობა, მარმარილოს, კერამიკის,
ლითონის, ხის, სადაფის და ა. შ. ნატეხე-
ბის საგნის ზედაპირში ჩასმა. ცნობი-
ლია O-ის სხვადასხვა სახეობა: ხისა ხით
(*ინტარსია*), ლითონისა ლითონით, ქვისა
ქვით გაწყობა. ძვ. აღმოსავლეთსა და
ანტიკური ეპოქის ქანდაკებებს თვალები
O-ით აქვს შესრულებული. თანამედროვე
მშენებლობაში O. არსებითად ნიშნავს
ბეტონის ფილებზე კერამიკული ნაფხვენით
ფაქტურის შექმნას.

ᲘᲜᲙᲠᲣᲡᲢᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ, მიმართულე-
ბა იტალიის რომანულ არქიტექტურაში.
განვითარდა ტოსკანაში XI—XIII სს-ში.
O. ს-ის ტაძრებისათვის (ბაპტისტერიუმი,
1059 — XIII ს.; სან-მინიატო ალ მონტეს
ეკლესია, 1014—1207; ორივე ფლორენცია-
ში) დამახასიათებელია მორთულობის სი-
უხვე. ნაგებობა შიგნით და გარედან მდიდ-
რულად არის შემკული (ინკრუსტირებუ-
ლი) ფერადი მარმარილოს გეომ. ორნა-
მენტითა და ორდერული ელემენტების გა-
მოსახულებებით.

ᲘᲜᲙᲣᲑᲐᲢᲝᲠᲘ (< ლათ. incubo—გამოვ-
ჩეკ), სას.-სამ. ფრინველთა კვერცხიდან
მოზარდეულის ხელოვნურად გამოსაჩეკი
აპარატი. მარტივი O-ები — სპეც. შენობა,
გასათბობი კასრები, ღუმლები და სხვ.—ჯერ
კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინათ ჰქონ-
დათ. ევროპასა და აშშ-ში სხვადასხვა
კონსტრუქციის O. გამოჩნდა XIX ს-ში.
სსრკ-ში O-ების სამრეწვ. წარმოება და-
იწყო 1928-იდან, ახლანდ. O-ები უმთავრეს-
ად ორი სახისაა — კაბინეტური და კარა-
დული (უფრო გავრცელებულია). 1971
სსრკ-ში მოქმედი O-ების საერთო ტევადო-
ბა 1,7 მლრდ-ზე მეტ კვერცხს შეადგენდა

ᲘᲜᲙᲣᲑᲐᲪᲘᲐ (ლათ. incubatio — გამოჩე-
კა) ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ, სასო-
ფლო-სამეურნეო ფრინველთა კვერცხი-
დან მოზარდეულის გამოჩეკა *ინკუბატო-
რში.* ეს წესი ჯერ კიდევ 2500 წლის
წინათ სცოდნიათ ეგვიპტესა და ჩინეთში.
XX ს. შუა წლებიდან O. სას.-სამ. ფრინ-
ველთა გამრავლების ერთ-ერთი ძირითად-
ი ხერხია. O. შეიძლება ყველა სახის
ფრინველის — ქათმის, ინდაურის, იხვის,
ბატის, ციცრის, ხოხბის და სხვ. კვერცხი-
დან. O-თვის არჩევენ ახალ, ბიოლოგიურ-
ად სრულფასოვან კვერცხს, კლინიკურად
ჯანმრთელი ფრინველისას, რ-თაც მიაღ-
წიეს: ქათამმა 8—9, იხვმა 6—7, ბატმა 9—
10, ინდაურმა 8 თვის ასაკს. კვერცხის მა-
სა (გრამობით) არ უნდა იყოს საშუალოზე
დაბალი: მეკვერცხული ქათმისა არანაკლებ
50, სახორცე-მეკვერცხულისა — 52—53, ინ-
დაურისა — 70—90, იხვისა — 80—100, ბა-
ტისა — 120—180, ციცრისა — 40—45. O-ის
ხანგრძლივობა (დღეღამური) ქათმის კვერ-
ცხისა არის 20—22, იხვისა—27—28, ინდა-
ურისა—26—28, ბატისა—29—30. საინკუბა-
ციო რეჟიმის მთავარი ფიზ. ფაქტორებია
ტემპ-რა, შეფარდებითი ტენიანობა, ჰაერის
ქიმ. შედგენილობა და მოძრაობის სიჩქარე
ინკუბატორში. ქათმის, ინდაურისა და იხ-
ვის კვერცხი ვერტიკალურად უნდა იყოს
(საჰაერო კამერა ზემოთ), ბატის კვერცხი—
დახრილად ან ჰორიზონტალურად. O-ის
მთელ პერიოდში კვერცხის გადაბრუნება
ხდება ავტომატურად, ყოველ 2 *სთ*-ში ერთ-
ხელ. გამოჩეკამდე 1—2 დღით ადრე კვერ-
ცხები გადააქვთ გამოსაჩეკ კარადებში.
Ბ. ᲐᲜᲗᲐᲫᲔ.

ᲘᲜᲙᲣᲑᲐᲪᲘᲐ ᲒᲠᲔᲜᲘᲡ, ᲒᲠᲔᲜᲘᲡ ᲒᲐ-
ᲛᲝᲪᲝᲪᲚᲔᲑᲐ, სპეციალურად მო-
წყობილ შენობაში — ინკუბატორიუმში —
თუთის აბრეშუმხვევიას კვერცხიდან (გრე-
ნი) მუხლუხის გამოსვლა. ჩანასახის ნორ-
მალური განვითარებისათვის კვერცხს ხე-
ლოვნურად უქმნიან საჭირო ტემპ-რას, ჰა-
ერის ტენიანობას, განათებას, ვენტილა-
ციას.

ᲘᲜᲙᲣᲜᲐᲑᲣᲚᲔᲑᲘ (ლათ. incunabula—ად-
რეული ბავშვობა, აკვანი, დასაწყისი),
პირველნაბეჭდი წიგნები, რ-ებსაც ამზადებ-
დნენ ანაწყობი ფორმებიდან 1501-მდე. O-ის
შრიფტი უმეტესად გუთურია, აბზაცები
არა აქვს; ტირაჟი, როგორც წესი, 100—
300 ცალია. სულ გამოქვეყნებული იყო 40



ინკლინომეტრი იკ — 2-ის საზომი კვანძი: 1—გადამრთველი მექანიზმი, 2—ჩარჩო; 3—ბუსოლი; 4—შვეულა


ინკრუსტაციული სტილი. სან-მინიატო ალ მონტეს ეკლესიის ტიბარი და კათედრა. 1207. ფლორენცია.

ინკუბატორი „უნივერსალ—45" და მისი გამოსაჩეკი კარადა (მარჯვნივ).

ნ. ინოზემეევი.



ინოზიტი. მეზოინოზიტი.

ინოსტრანცევია.

ათ-მდე ი. არსებობს ძვ. სლავურ ენაზე კირილიცით აწყობილი ი. რუსული ი. არ არსებობს, რადგანაც პირველნაბეჭდი რუს. წიგნები გამოჩნდა მხოლოდ XVI ს. შუა წლებში. სსრკ-ში ი-ის შედარებით დიდი კრებულები დაცულია ვ. ი. ლენინის სახ. სახელმწ. ბ-კაში, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კაში ლენინგრადში, სსრკ მეცნ. აკად. ბ-კაში. თსუ-ის სამეცნ. ბ-კაში დაცულია ქ. ლიუბეკში 1484 გერმ. ენაზე გამოცემული ი. „ცხოვრება წმინდა იერონიმესი".

ინო, სოფელი დუშეთის რ-ნში (მაღაროსკარის სოფსაბჭო), ფშავის არაგვის ხეობაში, მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*; დუშეთიდან 44 *კმ*. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახ. კოლ-ბა(მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ჩარგალში (8 *კმ*).

ინოვროცლავი (Inowrocław), ქალაქი პოლონეთში, ბიდგოშჩის სავოევოდოში, მდ. ნოტეცის მახლობლად. 61,2 ათ. მცხ. (1976). სარკინიგზო კვანძი. სოდის, სას.-სამ. მანქანების, ავტომობილის დეტალების წარმოება, ჩამოსხმა. კვების მრეწველობა. ი-ის მიდამოებში იღებენ ქვამარილსა და თაბაშირს. ბალნეოლ. კურორტი.

ინოზემცევი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (დ. 4. IV. 1921, მოსკოვი), საბჭ. ეკონომისტი და ისტორიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968). სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა მოსკ. საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტი (1949). 1952—55 ჟურნ. „კომუნისტის" კონსულტანტი იყო, პარალელურად ეწეოდა პედ. მუშაობას. 1959—61 სსრკ მეცნ. აკად. მსოფლიო ეკონ. და საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1961-იდან გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, 1966-იდან კი მსოფლიო ეკონ. და საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტის დირექტორი. მისი შრომები ეხება უმთავრესად საგარეო პოლიტიკის, საერთაშ. ურთიერთობის, მსოფლიო ეკონ. და საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის პრობლემებს. ი-ის რედაქციითა და თანაავტორობით გამოცემულია წიგნები: „საერთაშორისო ურთიერთობანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ" (ტ. 1—3, 1962—65), „თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია" (ტ. 1—2, 1970). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977). 1971 სკკპ XXIV ყრილობაზე ი. აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად. სსრკ X მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

ინოზიტი, ჰექსაოქსიციკლოჰექსანი, ციკლიტი, 6-ატომიანი სპირტი. ი-ის 9 შესაძლებელი სტერეოიზომერიდან ვიტამინის თვისებები აქვს მხოლოდ მეზოინოზიტს.

ი. მკვრივი ნივთიერებაა, აქვს ტკბილი გემო. მოლ. მასა 180,2. ადვილად იხსნება წყალში, არ იხსნება ორგ. გამხსნელებში; ფართოდაა გავრცელებული მცენარეებში. წარმოადგენს ზოგი მიკროორგანიზმის ზრდის აუცილებელ ფაქტორს. ი-ზე ადამიანის დღეღამური მოთხოვნაა დაახლოებით 1—1,5 *გ*.

ინოკენტი (ვვარად ბელიაევი), საქართველოს ეგზარქოსი 1909—13. ქმნიდა რელიგ. საზ-ებსა და ორგანიზაციებს, რ-ებიც ავრცელებდნენ რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ რელიგ. შინაარსის წერილებს. განსაკუთრებით ზრუნავდა არსებული რეჟიმის ერთგული ახალგაზრდა სას. პირების აღზრდაზე. მისი ინიციატივით სასწავლებლების ბ-კები კომპლექტდებოდა რელიგ. შინაარსის ლიტ-რით. ოპოზიციაში მყოფ ქართვ. ავტოკეფალისტთა გულის მოსაგებად დაუშვა საღვთო სჯულის სწავლება ქართ. ენაზე.

მ. ხუციშვილი.

ინოკენტი (Innocentius), ინოჩენციო, რომის პაპები: **ი. III,** ერისკაცობაში ჯოვანი ლოტარიო დი სეგნი (Lotario di Segni) (1160/61, ანანი,— 16. VII. 1216, პერუჯა), რომის პაპი 1198-იდან. მისი პონტიფიკატის ჟამს პაპობამ დიდ სიძლიერეს მიაღწია. თავის ხელისუფლებას დროებით დაუმორჩილა სიცილიის სამეფო. გერმანიაში ცენტრ. ხელისუფლების დასასუსტებლად შუღლს აღვივებდა იმპერატორის ტახტისათვის მებრძოლ *ველფებსა* და *შტაუფენებს* შორის. მის ვასალებად ცნეს თავი ინგლ., არაგონის, პორტუგალიისა და ბულგ. მეფეებმა. მოსპო ქ. რომის ავტონომია და პაპის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე პაპის ხელისუფლება აღადგინა. ინიციატორი იყო IV ჯვაროსნული ლაშქრობისა. 1202 დამტკიცა მახვილოსანთა ორდენის დაარსება. 1215 მოაწყო გერმ. რაინდთა ჯვაროსნული ლაშქრობა პრუსიის, 1209 — *ალბიგოელების* წინააღმდეგ. დაუნდობლად დევნიდა მწვალებლებს.. ხელს უწყობდა ინკვიზიციის ორგანიზაციას. ფრანციսკელთა ორდენი გადააქცია პაპობის პოლიტიკის მძლავრ იარაღად

ი. IV, ერისკაცობაში სინიბალდო ფიესკი (Sinibaldo Fieschi) (დაახლ. 1195, გენუა, — 7. XII. 1254, ნეაპოლი), რომის პაპი 1243-იდან. განაგრძობდა პაპ გრიგოლ IX-ის დროს დაწყებულ ბრძოლას გერმ. იმპ. ფრიდრიხ II შტაუფენთან. ლიონის მსოფლიო საეკლ. კრებაზე (1245) ფრიდრიხ II მწვალებლად და ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. ფრიდრიხ II-ის გარდაცვალების (1250) შემდეგ ებრძოდა მის მემკვიდრეს კონრად IV-ს. მხარს უჭერდა ტევტონურ ორდენს და მის დამპყრობლურ პოლიტიკას დას. ევროპაში. 1245 მონღოლთა დიდ ხანთან დიპლ. მისიით გაგზავნა პლანო კარპინი. ი. IV ცნობილი იურისტი იყო.

ი. VI, ერისკაცობაში ეტიენ ობერი (Etienne Aubert) (გ. 2. IX. 1362, ავინიონი), ავინიონის პაპი 1352—62. იურისტი, სამოქალაქო სამართლის პროფესორი და მთავარი მოსამართლე ტულუზაში. კარდინალი 1342-იდან. 1352 წ. 18 დეკ-იდან — პაპი. 1355 რომში მეფედ აკურთხა კარლ IV. ი. VI-ის შუამდგომლობით 1360 დიდი ზავი საფრანგეთსა და ინგლისს შორის. მისმა ლეგატმა კარდინალმა ალბორნოციმ დაქირავებული ჯვარით გაათავისუფლა პაპის ოლქის ნაწილი და აღადგინა პაპის ხელისუფლება. 1356 ი. VI-ე თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა ბერტრამო (Bertramo) და წერილით სთხოვა თბილ. კაპიტულს, სამღვდელოებასა და ერს, ასევე სულთანიეს ეპისკოპოსს (რ-საც თბილ. ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა) პატივით მიეღოთ ბერტრამო.

ი. XI, ერისკაცობაში, ბენედეტო ოდესკალკი (Benedetto Odescalchi) (1611 კომო, —1689, რომი), რომის პაპი 1676-89, ოცდაათწლიანი ომის (1618-48) დროს ჯარისკაცი იყო. შემდეგ იურისტი გახდა. იყო პაპის პროტონოტარიუსი, 1645-იდან — კარდინალი, 1654-იდან — ნოვარის ეპისკოპოსი, 1676 წ. 21 სექტ-იდან — პაპი. იბრძოდა ნეპოტიზმისა და კურიის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ. მხარს უჭერდა იანსენიტებს და ებრძოდა იეზუიტებს, ი. XI-თან ურთიერთობა ჰქონდათ ქართლის სამეფოს მესვეურებს. პატრ *ანჯელო ფილინელს* ი. XI-თვის რომში ჩაუტანია ქართლის მეფე გიორგი XI-ისა და არქიეპისკოპოსის ექვთიმე რატიშვილის წერილები.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.

ინოკულაცია (ლათ. inoculatio — მყნობა, აცრა), ცოცხალი მიკროორგანიზმების, ინფიცირებული მასალის, შრატისა და სხვადასხვა ნივთიერების შეყვანა მცენარის, ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში (აგრეთვე საკვებ არეში). ინფექციური დაავადების გამომწვევის (მაგ., ვაქცინის ვირუსის) ი-ით იწვევენ ადამიანის მსუბუქი ფორმით დაავადებას, რაც განაპირობებ *იმუნიტეტის* გამომუშავებას. ი-ს იყენებ აგრეთვე როგორც სამკურნალოდ, ი პროფილაქტიკისათვის.

„ინოსტრანნაია ლიტერატურა", რ სული ყოველთვიური ლიტერატურულ მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტ კური ჟურნალი, სსრკ მწერალთა კავშირ გამოცემა; გამოდის 1955-იდან მოსკოვშ არის ჟურნ. „ინტერნაციონალური ლიტ რატურის" (1933—43) გაგრძელება. ჟურ ნალი აქვეყნებს სხვადასხვა ჯვეყნისა კონტინენტის გამოჩენილ მწერალთა ნ წარმოებებს, თარგმანებს, კრიტ. წერილ ებს: ასახავს საბჭ. და საზღვარგარეთ ლიტერატორთა ურთიერთობაა და კ შირს. ტირაჟი 690 ათ. ცალი 1979.

ინოსტრანცევია (Inostrancevia), პე მული დროის ქვეწარმავლების გვარი *მ ცისნაირთა* რიგისა. სახელი ეწოდა რუ გეოლოგის ა. ინოსტრანცევის პატივსა მად. ი-ს სხეულის სიგრძე 3 *მ* აღწევდ ჰქონდათ დიდი ზომის ბასრი კბილები, ფ თებზე — მძლავრი ბრჭყალები, შედარ ბით მსუბუქი ჩონჩხი. მათი ნამარხი ჩონჩ ბი რუსმა მეცნიერმა ვ. ამალიცკიმ ჩრ დვინის ზედა პერმულ ნალექებში აღმო ჩინა. *ლ. გაბუნ*

ინჟენიუ (ფრანგ. ingenue, სიტყვასიტ ვით — გულუბრყვილო), მსახიობის ა ლუა: გულუბრყვილო, მგრძნობიარე ახალ გაზრდა ქალიშვილების როლი.

ინსბრუკი (Innsbruck, სიტყვასიტყვით ხიდი მდ. ინზე), ქალაქი დას. ავსტრიაშ აღმ. ალპებში, მდ. ინის სანაპიროზე, 574 სიმაღლეზე. ტიროლის მხარის ადმ. ცენ ტრი. 115,2 ათ. მცხ. (1971). ქალაქი გა ვითარდა სავაჭრო-ხელოსნური დასახლ ბიდან. 1234 მიიღო ქალაქის უფლება. ... ახლ. 1420-იდან 1665-მდე იყო ტიროლი ჰაბსბურგების რეზიდენცია, შემდეგ — ტ როლის მხარის ადმ. ცენტრი. 1805 ნაპ ლეონ I-მა ი. მთელ ტიროლთან ერთ ბავარიას გადასცა. 1809 აჯანყებულ გლეხებმა, რ-ებსაც ანდრეას ჰოფერი თაურობდა, ი-თან დაამარცხეს ფრანგებ და ბავარიის ჯარი. 1814 ი. დაუბრუნ ავსტრიას. 1918 დამლევს მცირე ხნით ... უფლნენ იტალიელები. 1938 ავსტრიასთ ერთად დაიპყრო ჰიტლერულმა გერმან ამ. 1945—55 მოექცა ავსტრიის ოკუპაცი საფრ. ზონაში.

ი. დიდი სატრანსპ. კვანძია. განვით რებულია საფეიქრო (შალის, ბამბის ... აბრეშუმის ქსოვილების წარმოება), ... თონდასამუშ., ქიმ. და კვების მრეწველ ბა. მხატვრული სახელოსნოები (მოზაი მინა და სხვ.). უნ-ტი (XVII ს.). ი. ტუ ზმისა და სპორტის ზამთრის სახეობ ცენტრია. მუზეუმები (ეთნოგრ., მხარე მცოდნეობის, ისტ.), ბოტან. ბაღი.

ძვ. ქალაქში (მდ. ინის მარჯვ. ნაპ ზე) აღმართულია ერკერებიანი და ლოჯ ებიანი (ლოჯია „ოქროს სახურავი", 15 მაღალი შენობები. არქიტ. ძეგლთა აღსანიშნავია: ქალაქის კოშკი (XIV—X სს.), ჰოფბურგის სასახლე (XIV—XV სს.), ჰოფკირხეს ეკლესია (1553—63), ... ანას სვეტი (1706). 1964 ზამთრის ოლ პიური თამაშებისათვის ააშენეს სტა ონი გადახურული ყინულის საცეკვურ მოედნით (არქიტ. ჰ. ბუხრაინერი) და მაღლივი შენობა.

ინსექტიციდები (ლათ. insectum — მ რი და ceado — ვკლავ), მავნებელ მწერ წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუა ბები. მწერის სხეულში შეღწევის გზებ მიხედვით ი-ს ყოფენ 4 ჯგუფად: ნაწლ ვის ი. მწერის ორგანიზმში ხვდება პი დან. მათ განეკუთვნება დარიშხანის ა ორგ. ნაერთთა უმეტესობა (კალციუმ მაგნიუმის, ბარიუმის, ტყვიის არსენატ კალციუმის არსენიტი), სილიციუმფთორ დები და ლითონთა ფთორიდები, თიოდო ნილამინი და სხვ. კონტაქტური ი მწერის სხეულში ხვდება კანის საფარვ

დან. ამ ჯგუფის ი-ს განეკუთვნება ფოსფორის, ქლორის, აზოტისა და გოგირდის ორგ. ნაერთები, პირეტრინები და პირეტროიდები; სისტემურ ანუ შიდამცენარულ ი-ს შთანთქავს მცენარის ფესვები ან ფოთლები, შემდეგ მიყვება ჭურჭელ-ბოჭკოვან სისტემას საკვებთან ერთად და მცენარეს აცავს პარაზიტი მწერებისაგან. ასეთი ი-ა მეთილმერკაპტოფოსი, ფოსფამიდი და სხვ. სისტემურ (ფოსფორორგანულ) ი-ს იყენებენ აგრეთვე ექტოპარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად, დერატიზაციისათვის და სხვ.; ფუმიგანტები ანუ აუნთქვითი ი. ორთქლი ან აირია და მწერის ორგანიზმში ხვდება სუნთქვის დროს ტრაქეალური სისტემის გზით. ამ ი-ს განეკუთვნება ჰექსაქლორბუტადიენი და სხვ. აღნიშნული კლასიფიკაცია პირობითია, კინაიდან ი-ის უმეტესობა მწერის ორგანიზმში შეიძლება ერთდროულად რამდენიმე გზით შეიჭრას.

მსოფლიოში მავნებელი მწერებისაგან დამოწვეული ზარალი მარტო მემცენარეობაში წელიწადში დაახლ. 30 მლრდ. დოლარს შეადგენს, მიუხედავად ამისა, არაორგ. ი-ის წარმოება მათი ძლიერი მომშხამველი მოქმედების გამო სისტემატურად მცირდება. სამაგიეროდ, მათ ადგილს იკავებს ახ. ორგ. პრეპარატები, რომელთა წარმოება დღითი დღე მატულობს. ამჟამად მსოფლიოში 200-ზე მეტი დასახელების ინსექტიციდია. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ფოსფორის, ქლორის ორგ. ნაერთები და კარბამინმჟავას ნაწარმი. ი-ს იყენებენ შესხურებით, შეფრქვევით, შეხრჩოლვით ანუ ფუმიგაციით და სხვ. ხერხით. პრეპარატი შეიძლება იყოს ემულსია, სუსპენზია, ფხვნილი და სხვ. (იხ. *პესტიციდები*).

ადამიანსა და თბილსისხლიან ცხოველებზე მომშხამველი ზემოქმედების მიხედვით ი-ს ყოფენ 4 ჯგუფად: ძლიერმოქმედი, მაღალტოქსიკური, საშ. ტოქსიკური და დაბალტოქსიკური. მცენარეზე ან ცხოველის ორგანიზმზე ი-ის მოქმედების ხანგრძლივობა სხვადასხვაა და ერთი დღიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება. ადამიანის ორგანიზმზე ი-ის საზიანო მოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მკაცრად დაიცვათ მათი შენახვის, გამოყენებისა და ტრანსპორტირების შესახებ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ლიტ.: Берим Н. Г., Биологические основы применения инсектицидов, Л., 1971; Мельников Н. Н., Химия пестицидов, М., 1968.

ინსინუაცია (ლათ. insinuatio), მონაჭორი ვისიმე სახელის გასატეხად; ცილისწამება.

ინსოლაცია (ლათ. insolatio<insolo—ვამზეურებ), დედამიწის ზედაპირის დასხივება მზის პირდაპირი ან ჯამური რადიაციით. ჩვეულებრივ იგულისხმება რადიაციის ნაკადი დედამიწის ჰორიზ. ზედაპირზე, თუმცა ფართო გაგებით მზის სხივებისადმი მართობული ზედაპირის, აგრეთვე შვეული (კედელი) და დახრილი (მთის კალთა) ზედაპირების ი-საც გულისხმობენ. ი-ის ინტენსიურობა გამოისახება ენერგიის იმ რაოდენობით, რ-იც დროის ერთეულში დასხივდება ფართობის ერთეულზე (*ეტ/მ²*). ი. დამოკიდებულია მზის სიმაღლეზე, დასხივებული ზედაპირის მდებარეობაზე, სიმაღლეზე ზღვის დონიდან, აგრეთვე ღრუბლიანობასა და ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე. ი. განაპირობებს დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს სითბურ მდგომარეობას და ბუნებრივ განათებულობას დედამიწაზე. საბოლოოდ ი-ზეა დამოკიდებული დედამიწის კლიმ. პირობებიც. ი-ის გათვალისწინება აუცილებელია სოფ. მეურნეობაში, დასახლ. ადგილების დაგეგმარებისას, მზით მკურნალობის დროს და სხვ.

ინსპექტორი (ლათ. inspector — მეთვალყურე, ზედამხედველი), 1. საბჭ. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე მრავალ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში — თანამდებობის პირი, რ-იც ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს საქვეუწყებო ორგანოთა თუ ცალკეულ პირთა საქმიანობას (საფინანსო ი., სასკოლო ი., სანიტ. ი.), 2. რევოლუციამდელ რუსეთში — ვაჟთა საშ. სასწავლებლის დირექტორის თანაშემწე სასწავლო და აღზრდელობით დარგში (გიმნაზიის ი., რეალური სასწავლებლის ი.).

ინსპექცია სახელმწიფო (ლათ. inspectio — დათვალიერება, გასინჯვა), მმართველობის სპეციალური ორგანო, რ-იც ადმინისტრაციულ ზედამხედველობას უწევს ამა თუ იმ დარგში კანონიერების დაცვას. უფლებამოსილების მიხედვით განასხვავებენ საუწყებო ი-ს, რ-იც აკონტროლებს კანონიერების დაცვას ერთი სამინისტროს ფარგლებში (მაგ., გაზის მრეწვ. სამინისტროსთან არსებული გაზის ი.) და საუწყებათშორისო ი-ს, რ-იც აკონტროლებს ყველა ორგანიზაციას, უწყებასა და დაწესებულებას საუწყებო დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებლად (სატრანსპექცია, სანიტ. ი. და სხვ.). საზედამხედველო ობიექტებზე დადგენილი წესების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით ი-ებს აქვთ მიცემების, აგრეთვე ადმ. სახდელის დაკისრების (ჯარიმა, თანამშრომლის სამუშაოდან გადაყენება და სხვ.) უფლება.

ინსპირაცია (ლათ. inspiratio — აღმაფრენა, შთაგონება < ლათ. inspiro — ვისუნთქავ, შთავაგონებ), 1. ვინმესთვის რაიმე მოქმედების, აზრის, თვალსაზრისის შთაგონება. 2. ვისიმე შეგულიანება, წაქეზება. 3. (მედ.) შესუნთქვა.

ინსტანციი (ლათ. instantia — უშუალო სიახლოვე), სახელმწიფო მმართველობის, პარტიული, პროფკავშირული, სასამართლო ან სხვა ურთიერთდაქვემდებარებულ ორგანოთა ცალკეული რგოლი, საფეხური. სსრკ-ის *სასამართლო სისტემაში* საქმეთა განხილვისას განასხვავებენ: I ი-ს, სადაც საქმეს არსებითად განიხილავენ; II (საკასაციო) ი-ს — განიხილავენ I ი-ის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებასა და განაჩენს, რ-იც ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში. სამოქალაქო და სისხლის სამართ. უმეტეს საქმეთა განხილვისათვის I ი. არის სახ. სასამართლო, უფრო მნიშვნელოვან საქმეთათვის კი — ზემდგომი სასამართლოები (საოლქო სასამართლო, მოკავშირე რესპ. უმაღლესი სასამართლო და სხვ.).

ინსტინქტი (ლათ. instinctus — განზრახვა), ორგანიზმის თანდაყოლილი რთული რეაქციების (ქცევითი აქტების) ერთობლიობა, რ-იც ჩვეულებრივ უცვლელად ვლინდება გარეგანი ან შინაგანი გაღიზიანების საპასუხოდ. ევოლ. თვალსაზრისით ინდივიდისათვის ი. წინა თაობების სასარგებლო „ინდივიდუალური გამოცდილებაა", რ-იც მის ნერვულ სისტემაშია აღბეჭდილი. ი-ის მექანიზმი, ი. პავლოვის მიხედვით, უპირობორეფლექსურია (იხ. *უპირობო რეფლექსი*). ი-ს ჩვეულებრივ მხოლოდ რთულ უპირობო რეფლექსებს (კვების, თავდაცვის, სქესობრივი ლტოლვისა და სხვ.) უწოდებენ. ყოველი ი. შედგება რეაქციების ჯაჭვისაგან, რ-შიც ერთი რგოლის ბოლო მეორის დასაწყისია. გამოყოფენ ი-ის შემდეგ ჯგუფებს: კვების — საკვების მოპოვება და მიტაცება, მისი მომარაგება და ა. შ.; თავდაცვითი — როგორც პასიური (გაქცევა, განაბება, თავის მოკატუნება, დამალვა და სხვ.), ისე აქტიური — კბილების, ბრჭყალების, რქებისა და სხვ. მეშვეობით; სქესობრივი — საქორწინო ცეკვები, გალობა, ტიტტიხი, ბრძოლა დედლის დაუფლებისათვის, მიგრაცია ტოფობის ადგილებისაკენ (თევზებში) და სხვა აქტები, რაც შეწყვილებით მთავრდება; მშობლიური (ან შთამომავლობაზე ზრუნვის) — ბუდის აშენება, ნაშიერისათვის საკვების მოპოვება, მათი გამოკვება, აგრეთვე თავდაცვის, ნადირობის ან სხვა ხერხების სწავლება; ჯგუფობრიობის — მტრებისაგან ერთობლივი თავდაცვა, ბუდის აგება, სიცრცის გადალახვა (მიგრაციები), სეზონისას ერთმანეთის გათბობა, შთამომავლობაზე ერთობლივი ზრუნვა და სხვ. ი. მეტად მყარი მოქმედებაა, რ-იც შეიძლება ნაწილობრივ შეიცვალოს მხოლოდ შეცვლილი საარსებო პირობების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. რაც უფრო მეტადაა განვითარებული ცენტრ. ნერვული სისტემა, მით უფრო მეტია ინდივიდ. ცხოვრების მანძილზე შეძენილი რეაქციების ხვ. წ. ცხოველთა ქცევაში. უმდაბლესი უხერხემლოების (უმარტივესები, ნაწლავღრუიანები) ქცევა მეტწილად ინსტინქტურია. უმაღლეს უხერხემლოებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ რთული ი-ები აქვთ (განსაკუთრებით „საზოგადოებრივ" მწერებს — ფუტკარსა და ჭიანჭველას), უპირობო რეფლექსები თვალსაჩინო როლს თამაშობს.

ადამიანის ი-ები მნიშვნელოვნად ემორჩილება მის შეგნებულ მოქმედებას, რაც აღზრდის პროცესში ყალიბდება. ამასთან, აღზრდა, თავის მხრივ, სოც.-ისტ. ფაქტორების გარდა, ეყრდნობა ბიოლ. საფუძვლებს — სხვადასხვა ი-ს, რ-იც წარმოიქმნება და ვლინდება ემბრიონული და პოსტემბრიონული განვითარების სხვადასხვა პირობებში. ჯერ კიდევ ჩანასახის პერიოდში ნერვული სისტემის ცალკეული სტრუქტურები სხვებზე ადრე ვითარდება, რაც ხელს უწყობს ახალშობილის გადარჩენას სპეციფ. პირობებში; დაბადების მომდევნო პერიოდებში მწიფდება სხვადასხვა ი., რ-თა საფუძველზე ვითარდება ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციები (სქესობრივი ლტოლვა, დედობრივი გრძნობა და სხვ.). ინსტინქტური მოქმედების განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს.



ინსბრუკი. ქალაქის კოშკი. დაახლ. 1358. გადაკეთებულია 1560.

ი-ის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია. ადამიანის ზოგიერთ ფსიქიკურ დაავადებას გარკვეული ი-ის დარღვევა იწვევს. სასარგებლო ცხოველთა გადარჩენისას მხედველობაში იღებენ თანდაყოლილ თავისებურებებს; ი-ებს ითვალისწინებენ აგრეთვე ველური ფაუნის გარდაქმნის, ცხოველთა აკლიმატიზაციისა და მავნებლებთან ბრძოლის მეთოდების შემუშავებისას.

დ. ჯორბაძე.

ინსტინქტური ქცევა, ცხოველთა გარეგნული აქტივობის გენეტიკურად ფიქსირებული თანდაყოლილი გამოვლინებების ერთობლიობა. ერთი სახეობის ცხოველებში ი. ქ. დაახლოებით ერთნაირია, ემსახურება ინდივიდის არსებობასა და სახეობის შენარჩუნებას. ი. ქ-ის შემადგენელი რეაქციები შედარებით დამოუკიდებელი და ნაკლებად ცვალებადია, რაც განპირობებულია ფილოგენეზის პროცესში ნერვულ სისტემაში მყარი ნერვული კავშირების ჩამოყალიბებით. ამის გამო, ი. ქ. უშუალოდ არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ ცხოველის კონკრ. ინდივიდ. გამოცდილებასთან, თუმცა ვითარდება ონტოგენეზში დასწავლის პროცესებთან დაკავშირებით. ზოგჯერ იმ ობიექტების ნიშნები, რ-თაკენაც არის მიმართული ინსტინქტური მოქმედებანი, მეხსიერებაში აღბეჭდვით ფიქსირდება. ი. ქ-ის შემადგენელი ინსტინქტური მოქმედებანი მოიცავს ზუსტად კოორდინირებულ ინსტინქტურ მოძრაობებსა და პოზებს, აგრეთვე ბგერით და სხვა სიგნალებს, სეკრეტორულ პროცესებს, თერმორეგულაციის მოვლენებს, შეფერილობის ცვლილებებს და სხვ., რაც გარკვეული თანამიმდევრობით ვლინდება. ამრიგად, ი. ქ. ორგანიზმის რთული ერთიანი რეაქციაა. ცხოველთა ი. ქ-ის ბიოლ. პრობლემებს, მის (როგორც ფაქტორის) მნიშვნელობას ევოლუციის პროცესში, ჩამოყალიბებასა და განვითარებას ფილოგენეზში შეისწავლის *ეთოლოგია*. ი. ქ. შეისწავლება სხვადასხვა ასპექტში: ფუნქციურში (ინსტინქტური მოქმედების მნიშვნელობა ცხოველმოქმედე-

ბის სხვადასხვა სფეროში — კვებაში, გამრავლებაში, თავდაცვაში და სხვ.), კაუზალურ ანუ მოტივაციურში (O. ძ-ის შინაგანი და გარეგანი ფორმების ანალიზი) და ევოლუციურ-გენეტიკურში (ინსტინქტურ მოქმედებათა წარმოშობა, ფილოგენეზურად უფრო ახალ მოძრაობათა განვითარება უფრო ძველებიდან და ა. შ.).

დ. ჯორბაძე.

ინსტიტუტი (ლათ. institutum—დაწესება, დაწესებულება), 1. სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რ-იც მოიცავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ სფეროს (მაგ., ბატონყმობის O., ქორწინების O.).. 2. ზოგიერთი უმაღლესი სპეც. სასწავლებლისა. და სამეცნ.-კულ. დაწესებულების სახელწოდება. 3. სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სასწ.-მეთოდ. დაწესებულება. 4. პედ. სასწავლებლის განსაკუთრებული ტიპი (მაგ., თბილისის საოსტატო O. ანუ *თბილისის სამასწავლებლო სკოლა*). 5. რევოლუციამდელ რუსეთში — ქალთა პრივილეგიური საშ. სასწავლებელი დაბურული ტიპისა (მაგ., *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი*).

ინსტიტუციები (ლათ. institutiones, სიტყვასიტყვით — დარიგებანი), რომის სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელოები, რ-ებიც მოცემულია მოქმედი სამართლის (ძირითადად კერძო სამართ.) სისტემური მიმოხილვა. ჩვენამდე მოღწეულთაგან ყველაზე ძველი ლა ცნობილია II ს. რომაელი იურისტის *გაიუსის* O., რ-ებიც VI ს-ში საფუძვლად დაედო იუსტინიანეს O-ს (იხ. სტ. *„კორპუს იურის ცივილის“*). ინსტიტუციური სისტემა ფართოდ გავრცელდა ბურჟ. სახელმწიფოებში. მაგ., ამ პრინციპებზეა აგებული საფრ. 1804 სამოქალაქო კოდექსი (ე. წ. ნაპოლეონის კოდექსი).

ინსტიტუციონალიზმი (ინგლ. institutionalism, ლათ. institutio — მოქმედების წესი, ჩვეულება, დარიგება, მითითება), თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მიმდინარეობა, რ-იც წარმოიშვა XX ს. დასაწყისში აშშ-ში. O-ის მთავარი წარმომადგენლები არიან: ტ. ვებლენი (ფუძემდებელი), უ. მიჩერი, ჯ. კლარკი, ს. კუზნეცი, ჯ. გოლბრეითი და სხვ.; მონოპ. კაპიტალიზმის კანონზომიერებათა განხილვისას ინსტიტუციონალისტები ემყარებიან არაეკონ. პოსტულატებსა და პრაგმატიზმის ფილოსოფიას. მათი ყურადღების ცენტრშია „ეკონომიკური ინსტიტუტების“ (ოჯახი, საკუთრება, პროფკავშირები, კრედიტი, მონოპოლია, სახელმწიფო და სხვ.) ფსიქოლოგიურ „ფენომენთა“ (ზნეობის, ჩვეულებათა, ადათის, ყოფაქცევისა და სხვ.) შესწავლა. ინსტიტუციონალისტთა აზრით, პოლიტეკონომია არის მეცნიერება ადამიანთა კულტურისა და ყოფაქცევის შესახებ. ისინი პოლიტეკონომიის საგნად აცხადებენ „ინსტიტუტების კატეგორიებს“.

O. სახელმწიფო-მონოპ. კაპიტალიზმის აპოლოგიაა და ერთგვარად განსხვავდება მარჟინალიზმის ტრად. სკოლებისაგან. იგი იდეურად ენათესავება გერმ. ისტ. სკოლას და XIX ს. ბურჟ. პოლიტეკონ. სხვა მიმდინარეობებს. O. იყენებს სტატისტ.-აღწერილობით მეთოდს და ვულგ. ისტორიზმის ელემენტებს. მას არა აქვს კვლევის ერთიანი მეთოდი და მეთოდოლოგია. ვებლენი ეკონ. პროცესების საფუძველად თვლის ფსიქოლოგიას, ბიოლოგიასა და ანთროპოლოგიას, კომონსი—ფსიქოლოგიასა და სამართალს, ესთეტიკას, გოლბრეითი — ტექნიკასა და ტექნოკრატიას.

O-ში 4 მიმართულებაა: 1. ფსიქოლ.-ბიოლ. O-ის წარმომადგენლები (ვებლენი და მისი მოწაფეები) უგულებელყოფენ ბურჟ. საზ-ბის დაყოფას ანტაგონისტურ კლასებად და იცავენ „სოციალურ დარვინიზმს“. მათ უშუალო კავშირი აქვთ ამერ. ბურჟ. სოციოლოგიის სოც.-ფსიქოლ. სკოლასთან — ბიჰევიორიზმთან.

2. სოც.-სამართ. მიმართულების O-ის მთავარი პოსტულატია სამართლებრივი (იურიდიული) ურთიერთობა. იგი ზღუდავს ეკონომიკურ წარმოებითი ურთიერთობების განსაზღვრულ როლს და ე. წ. „ინსტიტუტებს“ განიხილავს იურიდ. ურთიერთობათა („ადმინისტრაციული გარიგებანი-შეთანხმების“) საფუძველზე. ნამდვილი ურთიერთობანი კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის დაფარულია თანასწორუფლებიან მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობამდე.

3. ემპირიული მიმართულების O-ის სათავეში იდგა მიჩელი — კონიუნქტურათმცოდნეობის ამერ. სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი. ეს მიმართულება პრაქტ.-გამოყენებითი ხასიათისაა. მას ზოგჯერ კონიუნქტურულ-სტატისტ. O-საც უწოდებენ.

4. სოციოლოგიური მიმართულების O-ის მთავარი წარმომადგენელია ცნობილი ამერ. ეკონომისტი და სოციოლოგი, „ახალი ინდუსტრიული საზ-ბის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი გოლბრეითი.

O-მა კრახი განიცადა. მისი ადგილი დაიკავა კაპიტალიზმის აპოლოგიის უფრო მოქნილმა, შენიღბულმა კონცეფციებმა (ნეოინდუსტრიალიზმი, პოსტინდუსტრიალიზმი, კონსუმერიზმი და სხვ.). *გ. ჭანუყვაძე.*

ინსტრუმენტალიზმი, პრაგმატიზმის ნაირსახეობა, რ-ის მიხედვით, ცნებები, თეორიები და მეცნიერების კანონები ობიექტურად არსებულ სინამდვილეს კი არ ასახავენ, არამედ ადამიანის მიზნის განხორციელების „სამოქმედო გეგმებს“, იარაღს წარმოადგენენ. ობიექტურ სინამდვილეს, როგორც „ბაურკვეველ სიტუაციას“, ადამიანის აზროვნეა მოწესრიგებულ მთლიანობად აქცევს, სხვადასხვა სიტუაციათა შორის ადამიანი ირჩევს უკეთეს გამოსავალს სამოქმედო გეგმის ყველაზე უფრო სასარგებლო საშუალებით განხორციელებისათვის. იდეის, თეორიის ჭეშმარიტება განისაზღვრება მისი სარგებლიანობით. O. უარყოფს კანონზომიერების ობიექტურობას და ჭეშმარიტების ობიექტურ ხასიათს. იგი სუბიექტურ-იდეალისტური მოძღვრებაა.

ინსტრუქცია (ლათ. instructio — დარიგება), 1. მითითება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების ან მანქანით, ხელსაწყოთი თუ სხვა რაიმეთი სარგებლობის წესისა და ხერხის შესახებ. 2. საამართალო—მმართველობის აქტი, რ-იც შეიცავს რაიმე საქმიანობის განხორციელებისა თუ ნორმატიული აქტების რეალიზაციის წესებისა და პირობების განმსაზღვრელ ნორმებს.

ინსულინი (<ლათ. insula — კუნძული), ცილოვანი ბუნების ჰორმონი, რ-საც გამოიმუშავებს *პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულების* β-უჯრედები. O. პირველად გამოვყვეს კანად. მეცნიერებმა ფ. ბენტინგმა და ჩ. ბესტმა (1921—22). O-ის სტრუქტურული ერთეული —მონომერი (მოლ. მასა დაახლ. 6000) შეიცავს 51 ამინომჟავას, რ-ებიც განლაგებულია 2 პეპტიდური ჯაჭვის (A და B) სახით და 2 დისულფიდური ხიდითაა (—S—S—) ერთმანეთთან დაკავშირებული. ამინომჟავათა ნაშთების თანამიმდევრობის დადგენამ (1945—56) O-ის ქიმ. სინთეზის წინაპირობა შექმნა. O. ამლიერებს ქსოვილების მიერ გლუკოზის შეთვისების უნარს, ხელს უწყობს მის გარდაქმნას *გლიკოგენად*. ორგანიზმში O-ის ნაკლებობა იწვევს შაქრიანი დიაბეტის (იხ. *დიაბეტი შაქრიანი*) განვითარებას. სამკურნალოდ იყენებენ მსხვ. რქ. საქონლისა და სხვ. ცხოველების პანკრეასიდან მიღებული O-ის პრეპარატებს. მოქმედების ერთეულად მიღებულია O-ის სუფთა კრისტ. პრეპარატის 0,04032 *მგ*. O. შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში (დალევის შემთხვევაში კუჭის წვენი შლის მას). უფრო ხანგრძლივი მოქმედება აქვს O-ის პრეპარატებს: ამორფულ თუთია-ინსულინის სუსპენზიას, პროტამინ-ინსულინის სუსპენზიას და სხვ. O-ის მცირე დოზებს იყენებენ საერთო გამოფიტვის, დაქვეითებული კვებისა და სხვ. დროს. ფსიქიატრიაში O-ს იყენებენ შიზოფრენიის ზოგიერთი ფორმის სამკურნალოდ.

ინსულტი (<ლათ. insulto — ვხტი, ხტომა), თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, რ-საც დაერთვის ტვინის ქსოვილის დაზიანება და ფუნქციის მოშლა. უმეტესად იწვევს ჰიპერტონიული დაავადება და ათეროსკლეროზი, არაიშვიათად — გულის დაავადება, რევმატიზმი; ზოგჯერ კი — სისხლის და სხვა დაავადებები. განარჩევენ ჰემორაგიულ და იშემიურ O-ს. ჰემორაგიული O-ის მიზეზია სისხლის ჩაქცევა თავის ტვინში, რასაც უმეტესად ჰიპერტონიული დაავადება, ძლიერი ფიზ. ან ემოციური დაძაბვა იწვევს. სისხლის ჩაქცევას ჩვეულებრივ დაერთვის ცნობიერების დაკარგვა, სუნთქვისა და გულის მოქმედების დარღვევა; პირღებინება, კრუნჩხვები, ავადმყოფის სახე მოლურჯო წითელ ფერს იღებს. აღინიშნება აგრეთვე ტვინის კეროვანი დაზიანების სიმპტომები — კიდურების დამბლა, მგრძნობელობისა და მეტყველების მოშლა და სხვ. იშემიურ O-ს საფუძვლად უდევს ტვინის ქსოვილის დარბილება — ტვინის ინფარქტი, რ-იც ვითარდება ტვინის სისხლძარღვების სანათურის დაცობის (თრომბი, ემბოლი) ან სისხლძარღვების შევიწროების (ათეროსკლეროზი, სპაზმი) შედეგად; დიდი მნიშვნელობა აქვს თავის ტვინის მაგისტრალური სისხლძარღვების (საძილე და ხერხემლის არტერიების) დაზიანებას, ნეეროგენულ და ნივთიერებათა ცვლის ფაქტორებს: ხელშემწყობი მიზეზებია გულის მოქმედების დასუსტება, არტერიული წნევის დაცემა, სისხლის შედედების მომატება და სხვ. იშემიურ O-ს ხშირად წინ უსწრებს ტვინის სისხლის მიმოქცევის დროებითი მოშლა, რაც იწვევს სხეულის სხვადასხვა ნაწილის დაბუჟებას, კიდურების სისუსტეს, მეტყველების მოშლას, თავბრუს და სხვ. იშემიური O-ის დროს, ჰემორაგიული O-სგან განსხვავებით, ავადმყოფს გაფითრებული სახე აქვს, ცნობიერება მნიშვნელოვან ძლიერ შემთხვევაში ეკარგება. მკურნალობა: წოლითი რეჟიმი, სრული სიმშვიდე, საგულე, ტვინის სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის მარეგულირებელი საშუალებები. O-ის ნარჩენი მოვლენების სამკურნალოდ — სამკურნ. ფიზკულტურა, მასაჟი და სხვ.

ინსცენირება (ლათ. in-ში,-ზე და scena — სცენა), 1. ლიტერატურული ნაწარმოების (რომანი, პოემა, მოთხრობა, დოკუმენტური პროზა და სხვ.) გადაკეთება სცენაზე დასადგმელად. O. შეიძლება ეკუთვნოდეს თვით ავტორს (მაგ., მ. ბულგაკოვის „ტურბინთა დღეები“, ვ. ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი-69“, კ. ლორთქიფანაძის „კოლხეთის ცისკარი“ და სხვ.) ან სხვას (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“, ი. ჭავჭავაძის მოთხრობების მიხედვით და სხვ.). 2. მასობრივი საგაგიტაციო თეატრის ერთ-ერთი ფორმა რევოლუციის პირველ წლებში. მოედანზე, ქუჩებში გაიბამაშებდნენ ინსცენირებულ მომენტებს ისტორიიდან (მაგ., „თვითმპყრობელობის დამხობა“, 1919). O-თვის დამახასიათებელი იყო რომანტ. სიმბოლიკა, პირობითობა, გროტესკთან შერწყმული პათეტიკა.

ინტა, ქალაქი (1954-იდან) კომის ასსრ-ში. მდებარეობს მდ. დიდი ინტის (პეჩორის აუზი) ნაპირზე, რკინიგზის სადგ. ინტიდან 12 *კმ*, ჩრდ. პოლარული წრის სამხრ-ით 50 *კმ*. ქვანახშირის მოპოვება (პეჩორის აუზი), სარემონტო-მექან. ქ-ნა, ხის დასამუშ. კომბინატი, საშენ მასალათა საწარმოები, თეატრი, მეფრინველეობის ფ-კა. ინდუსტრ. ტექნიკუმი. სახ. თეატრი.

ნტაბუეთი, სოფელი ჩოხატაურის რ-ნში ჩაისუბნის სოფსაბჭო), მდ. გუბაზეულის ;ობაში. ზ. დ. 220 *მ,* ჩოხატაურიდან *კმ,* საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის ;დგ.) 25 *კმ.* ჩაისუბნის გ. დიმიტროვის ;ს. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მევენახეობა, ;სიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. ჩაისუბანში (2 *კმ*). ბ-კა.

ნტალიო (იტალ. intaglio — ჭრა, კვეა), ძვირფასი ჭრილი ქვა (გემა), რ-ზეაც გამოსახულება სილრმეშია ამოკვეთილი. O-ის ძირითად კუთვნილების დამადასურებელ ბეჭდად იყენებდნენ. გაჩნდა ძვ. IV ათასწლეულში (ძვ. აღმ. ქვეყნებში), ;ართოდ გავრცელდა ანტ. ეპოქაში.

ნტარსია (იტალ. intarsio — *ინკრუსაცია*), დეკორირების ხერხი სახვით ;ლოვნებაში, ინკრუსტაციის სახეობა, ხით ;ს (ავეჯის ან სხვ.) საგნების მორთვა: ;აქტურითა და ფერით განსხვავებული ;ს ფირფიტების ორნამენტი ან გამოსახუ;ება ჩასმულია ხისავე საგნის ზედაპირ;ი. O-მ განვითარების მაღალ დონეს მიაღ;ია XV ს. იტალიაში.

ნტეგრალი (<ლათ. integer—მთელი), ;ათემატიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნე;ი. O-ის ცნებამდე ბუნებრივად მივყავართ ;ათემატიკისათვის საინტერესო სხვადასხვა ;ოცანას. მაგ., აბსცისათა ღერძით, $x=a$, $=b$ წრფეებით და დადებითი $f(x)$ ფუნქცი; გრაფიკით შემოსაზღვრული S მრუდწი;ული „ტრაპეციის" ფართო;ის განსაზღვრისას განვიხილოთ შემ;ეგი კონსტრუქცია: დავანაწილოთ $[a, b]$;ონაკვეთი წერტილთა $a=x_0<x_1<\dots$ $;x_{n-1}<b=x_n$ მიმდევრობით $\Delta x_k=$ $;_{k+1}-x_k$ სიგრძის $[x_k, x_{k+1}]$ $(k=$ $;0,\dots,n-1)$ მონაკვეთებად. ავირჩიოთ ;ითო ξ_k წერტილი ნებისმიერად ყოველი ;$_k, x_{k+1}]$ მონაკვეთიდან და განვიხილოთ ;$_k, x_{k+1}][0, f(\xi_k)]$ მართკუთხედების ფარ-

;ობა $\sigma=\sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k)\Delta x_k$ ჯამი. თუ σ ჯამს

;ქს ზღვარი (როცა უდიდესი Δx_k მიისწ;აფვის ნულისაკენ), ბუნებრივია, რომ ის ;და მივიჩნიოთ S „ტრაპეციის" ფართო;ის სიდიდედ.

;ვთქვათ $f(x)$ წარმოადგენს $[a, b]$ მონაკ;ეთზე განსაზღვრულ ფუნქციას და გვაინ;ერესებს მისი პირველყოფილის არსებო;ის საკითხი, ე. ი. გვაინტერესებს ისეთი ;ორმოებადი $F(x)$ ფუნქცია, რომ $[a, b]$ მო;აკვეთის ყოველ x წერტილში გვქონდეს $;'(x)=f(x)$. $F(x)$ ფუნქციის მნიშვნელობის ;ამოსათვლელად x წერტილში შეიძლება ;ანვიხილოთ $[a, x]$ მონაკვეთის ზემოთ ;ანხილული ტიპის $a=x_0<x_1<\dots<x_{n-1}<$ $=x_n$ დანაწილება. $F(x_{k+1})-F(x_k)$ სხვა;ბა, ლაგრანჟის იგივეობის თანახმად, შე;ძლება ჩაიწეროს ასეთი სახით: $F'(\xi_k)$ $x_k=f(\xi_k)\Delta x_k$ (სადაც ξ_k უცნობი წერ;ილია $[x_k, x_{k+1}]$ მონაკვეთიდან). რა-

;განაც $F(x)=\sum_{k=0}^{n-1}[F(x_{k+1})-F(x_k)]+$

$-F(a)$, $F(x)$ შეიძლება წარმოვიდგინოთ

;ოგორც $\lim\sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k)\Delta x_k+F(a)$ (როცა

;დიდესი Δx_k მიისწრაფის ნულისაკენ).

პირველად (1823) ო. კოშიმ დაამტკიცა, ;ომ ყოველი უწყვეტი $f(x)$ ფუნქციისათვის

;ართლაც არსებობს $\sigma=\sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k)\Delta x_k$ „ინ-

;ეგრალური ჯამის" ზღვარი, როცა უდი;ესი $\Delta x_k\to 0$. მასვე ეკუთვნის ამ ზღვარისა;ვის საყოველთაოდ გავრცელებული სა;ულწოდება—$f(x)$ ფუნქციის (განსაზღვრუ;ი) ინტეგრალი (a და b საზღვრებში) და ;ასი დღემდე შემორჩენილი აღნიშვნა:

$$\lim\sigma=\int_a^b f(x)dx.$$

O-ის ცნება შემდგომ (1853) გააღრმავა ბ. *რიმანმა,* თუ კოში მხოლოდ უწყვეტი $f(x)$ ფუნქციების შემთხვევას იხილავდა, რიმანმა ყურადღება გაამახვილა ყველა ისეთი ფუნქციის კლასზე, რ-თათვისაც ზემოაღწერილ პროცესს გარკვეულ რიცხვით შედეგამდე მივყავართ. რიმანის აზრით, $f(x)$ ფუნქციას ინტეგრებადი ეწოდება, თუ მის σ ინტეგრალურ ჯამს აქვს გარკვეული ზღვარი, როცა უდიდესი $\Delta x_k\to 0$. ამ ზღვარს ასეთ შემთხვევაში $f(x)$ ფუნ;ქციის რიმანის ინტეგრალს უწოდებენ

და მასაც კვლავ $\int_a^b f(x)dx$ სიმბოლოთი აღ-

ნიშნავენ.

σ ჯამში ξ_k წერტილთა სხვანაირი შერ-

ჩევისას მიიღება $\sigma'=\sum_{k=0}^{n-1} f(\xi'_k)\Delta x_k$. რ-იც

მიუხედავად იმისა, რომ ξ_k და ξ'_k საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან, შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს σ ჯამისაგან, თუ $f(x)$ უწყვეტი არ არის. ამიტომ σ ჯამის გარკვეული (ξ_k წერტილთა შერჩევისაგან დამოუკიდებლად) ზღვრის არსებობა მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, როცა $f(x)$ ფუნქცია უწყვეტია მისი განსაზღვრის არის წერტილთა „დიდ უმრავლესობაზე". მართლაც, როგორც ეს ამ საუკუნის დასაწყისში ა. *ლებეგმა* აჩვენა, $f(x)$ ფუნქცია ინტეგრირებადია მხოლოდ მაშინ, როცა ის შემოსაზღვრულია და წყვეტის წერტილთა სიმრავლე ნ ულ ი ზ ო მ ი ს ა ა (იხ. *სიმრავლის ზომა*).

O-ის ცნების შემდგომი არსებითი გაღრმავება დაკავშირებულია ა. ლებეგის იდეებთან. თუ რიმანის ინტეგრირების პროცესში σ ჯამის სტრუქტურა ემყარება $[a, b]$ მონაკვეთის დაყოფას $[x_k, x_{k+1}]$ სიმრავლეებად, რ-ნიც მჭიდრო დანაწილებისას ერთმანეთთან ახლობელი x-ების თავმოყრით მიიღება, ლებეგის კონსტრუქცია იყენებს $[a, b]$ მონაკვეთის დანაწილებას ისეთ E_k ქვესიმრავლეებად, რ-თა სხვადასხვა წერტილებს ერთმანეთთან ახლობელი $f(x)$ სახეები აქვს. ეს კონსტრუქცია (შემოსაზღვრული $f(x)$ ფუნქციისათვის) ხორციელდება ფუნქციის ც ვ ლ ი ლ ებ ი ს ა რ ი ს შემცველი $[A, B]$ მონაკვეთის $A=$ $y_0<y_1<\dots<y_{n-1}<y_n=B$ დანაწილებით

და $\tau=\sum_{k=0}^{n-1} y_k mE_k$ ჯამის განხილვით. აქ

$E_k=\{x|y_k\leqslant f(x)<y_{k+1}\}$ წარმოადგენს $[y_k, y_{k+1}]$ მონაკვეთის წინასახეს $f(x)$ ფუნქციისათვის, mE_k აღნიშნავს E_k სიმრავლის „ლებეგის ზომას". ამ კონსტრუქციის განხორციელება მოითხოვს E_k სიმრავლის „სიგრძის ზომის" ცოდნას, რამაც განაპირობა ნამდვილ რიცხვთა „რთული ბუნების" ქვესიმრავლეთა „ზომის" ცნების შემოტანა. ასეთი საკმარისად სრულყოფილი „ზომის თეორია" დამუშავებული იყო აგრეთვე ა. ლებეგის მიერ; ქრონოლოგიურად ის წინ უსწრებს ა. ლებეგის O-ის თეორიას. ფუნქციებს, რ-თათვისაც, ლებეგის აზრით, ზომადია $\{x|\alpha\leqslant f(x)<\beta\}$ სიმრავლე ნებისმიერი α და β ნამდვილი რიცხვებისათვის, ზ ო მ ად ფ უ ნ ქ ც ი ებ ს უწოდებენ. τ ინტეგრალურ ჯამს აზრი აქვს ნებისმიერი ზომადი შემოსაზღვრული ფუნქციისათვის და მტკიცდება, რომ არსებობს τ ჯამის ზღვარი, როცა უდიდესი $y_{k+1}-y_k\to O$. ამ ზღვარს $f(x)$ ფუნქციის ლებეგის O-ს უწოდებენ და მასაც

$\int_a^b f(x)dx$ სიმბოლოთი აღნიშნავენ.

რიმანის აზრით, ინტეგრირებადი ყოველი ფუნქცია ზომადია და, მაშასადამე, ინტეგრირებადია ლებეგის აზრითაც. ამასთან, რიმანისა და ლებეგის O-ები ასეთ შემთხვევაში ერთმანეთის ტოლია. პრაქტიკულად საინტერესო ფუნქციათა უმრავლესობა ზომადია.

ლებეგის შემდეგ O-ის ცნება მრავალმხრივ განაზოგადეს. O-ის სხვა სპეც. საჭიროებისათვის გამიზნული განზოგადებანი დაკავშირებულია ა. დანჟუას, ა. ხინჩინის, ა. კოლმოგოროვის სახელებთან.

ლიტ.: ჭ ე ლ ი ძ ე ვ., ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორია, თბ., 1964; Л е б е г А., Интегрирование и отыскание примитивных функций, пер. с франц., М.—Л., 1934; С а к с С., Теория интеграла, пер. с англ., М., 1949. *ი. ქარცივაძე.*

ინტეგრალურ-დიფერენციალური განტოლება, განტოლება რ-იც შეიცავს უცნობ ფუნქციას, როგორც ინტეგრალის ნიშნის ქვეშ, ისე წარმოებულის ნიშნის ქვეშ. ზოგჯერ ხერხდება O.-დ. გ-ის დაყვანა *ინტეგრალურ განტოლებამდე* ან *დიფერენციალურ განტოლებამდე.* O.-დ. გ-ის ამონახსნი შეიძლება ვეძიოთ *მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.*

ინტეგრალური აღრიცხვა, მათემატიკის დარგი, რ-იც შეისწავლის განუსაზღვრელი და განსაზღვრული *ინტეგრალის* თვისებებსა და მისი გამოყენების არეს. მჭიდროდაა დაკავშირებული *დიფერენციალურ აღრიცხვასთან* და მასთან ერთად შეადგენს მათემატიკური ანალიზის საფუძველს.

O. ა-ის ძირითადი პრობლემატიკა დაკავშირებულია ფუნქციის პირველყოფილის მოძებნის საკითხებთან. რაიმე მონაკვეთზე განსაზღვრული ნამდვილი $f(x)$ ფუნქციის პირველყოფილი ისეთ წარმოებად $F(x)$ ფუნქციას ეწოდება, რ-ის $F'(x)$ წარმოებული ტოლია $f(x)$-ისა აღნიშნული მონაკვეთის ყოველ x წერტილში. თუ $F(x)$ ერთ-ერთი პირველყოფილია, $F(x)+C$, სადაც C ნებისმიერი მუდმივი შესაკრებია, წარმოადგენს $f(x)$ ფუნქციის ყველა პირველყოფილის ზოგად გამოსახულებას, რ-საც $f(x)$ ფუნქციის განუსაზღვრელი ინტეგრალი ეწოდება, და $\int f(x)dx$ სიმბოლოთი აღინიშნება. ამგვარად, $\int f(x)dx=F(x)+C$, სადაც $F'(x)=f(x)$ ყველა წერტილში $f(x)$-ის განსაზღვრის მონაკვეთზე.

ფუნქციის განუსაზღვრელი ინტეგრალის გამოთვლას ამ ფუნქციის ინტეგრირება ეწოდება. ინტეგრირების უმნიშვნელოვანესი ხერხები ემყარება განუსაზღვრელი ინტეგრალის „წრფივობის" თვისებას, „ცვლადის გარდაქმნისა" და „ნაწილობითი ინტეგრირების" წესებს. ფუნქციის ინტეგრირების პროცესი გარკვეული აზრით დიფერენცირების ოპერაციის შებრუნებული მოქმედებაა. ამდენად, O. ა-ის ის ნაწილი, რ-იც განუსაზღვრელ ინტეგრალსა და ფუნქციათა ინტეგრირებას შეეხება, მხოლოდ XVII ს. ბოლოს, დიფერენციალური აღრიცხვის წარმოშობის შემდეგ, ჩამოყალიბდა. O. ა-ში შემოაქვთ აგრეთვე ე. წ. „განსაზღვრული" ინტეგრალის ცნება, რ-საც საფუძვლად უდევს ანტიკური მათ. იდეები. თანამედროვე წარმოდგენით, $[a, b]$ მონაკვეთზე მოცემული შემოსაზღვრული $f(x)$ ფუნქციის განსაზღვრული ინტეგ-

რალი $\int_a^b f(x)dx$ ეწოდება ამ ფუნქციის

$\sigma=\sum_{k=0}^{n-1} f(\xi_k)\Delta x_k$ ინტეგრალური ჯამის

ზღვარს, როცა ყველა $\Delta x_k\to 0$, სადაც $\Delta x_k=$ $=x_{k+1}-x_k (k=0, 1, 2, \dots, n-1)$ და $x_0=$ $=a<x_1<\dots<x_{n-1}<b=x_n$.

O. ა-ის არსებითი წარმატებანი ი. *ნიუტონისა* და გ. *ლაიბნიცის* სახელებთანაა დაკავშირებული, რ-ებმაც XVII ს. ბოლოსათვის თითქმის ერთდროულად აღმოაჩინეს კავშირი განსაზღვრული და განუსაზღვრელი ინტეგრალის ცნებებს შორის: მაგ., ყოველი უწყვეტი $f(x)$ ფუნქციისათვის

ინტეგრალური აღრიცხვა

ინტეგრირების ძირითადი ფორმულებისა და წესების ცხრილი

$$\int x^n\,dx=\frac{x^{n+1}}{n+1}+C (n\neq -1)$$

$$\int \frac{dx}{x}=\ln|x|+C$$

$$\int e^x\,dx=e^x+C$$

$$\int a^x\,dx=\frac{a^x}{\ln a}+C$$

$$\int \sin x\,dx=-\cos x+C$$

$$\int \cos x\,dx=\sin x+C$$

$$\int \operatorname{tg} x\,dx=-\ln|\cos x|+C$$

$$\int \operatorname{ctg} x\,dx=\ln|\sin x|+C$$

$$\int \frac{dx}{\sin^2 x}=-\operatorname{ctg} x+C$$

$$\int \frac{dx}{\cos^2 x}=\operatorname{tg} x+C$$

$$\int \frac{dx}{x^2+a^2}=\frac{1}{a}\operatorname{arctg}\frac{x}{a}+C$$

$$\int \frac{dx}{x^2-a^2}=\frac{1}{2a}\ln\left|\frac{x-a}{x+a}\right|+C$$

$$\int \frac{dx}{\sqrt{a^2-x^2}}=\arcsin\frac{x}{a}+C$$

$$\int \frac{dx}{\sqrt{x^2\pm a^2}}=\ln|x+$$
$$+\sqrt{x^2\pm a^2}|+C$$

$$\int \sqrt{a^2-x^2}\,dx=$$
$$=\frac{x}{2}\sqrt{a^2-x^2}+$$
$$+\frac{a^2}{2}\arcsin\frac{x}{a}+C$$

$$\int \sqrt{x^2\pm a^2}\,dx=\frac{x}{2}\sqrt{x^2\pm a^2}\pm$$
$$\pm\frac{a^2}{2}\ln\left|x+\sqrt{x^2\pm a^2}\right|+C$$

$$\int \operatorname{sh} x\,dx=\operatorname{ch} x+C$$

$$\int \operatorname{ch} x\,dx=\operatorname{sh} x+C$$

$$\int \operatorname{th} x\,dx=\ln|\operatorname{ch} x|+C$$

$$\int \operatorname{cth} x\,dx=\ln|\operatorname{sh} x|+C$$

$$\int \frac{dx}{\operatorname{sh}^2 x}=-\operatorname{cth} x+C$$

$$\int \frac{dx}{\operatorname{ch}^2 x}=\operatorname{th} x+C$$

$$\int [f_1(x)\pm f_2(x)]\,dx=$$
$$=\int f_1(x)\,dx\pm\int f_2(x)\,dx$$

$$\int a f(x)\,dx=a\int f(x)\,dx$$

$$\int u\,dv=uv-\int v\,du$$

თუ $x=\varphi(t)$, მაშინ $dx=\varphi'(t)\,dt$ და

$$\int f(x)\,dx=$$
$$=\int f[\varphi(t)]\,\varphi'(t)\,dt,$$

აქ C, n და a მუდმივებია.

არსებობს $\int_a^x f(t)dt$, რ-იც როგორც ინტეგრირების ზედა x საზღვრის ფუნქცია, $f(x)$-ის ერთ-ერთი პირველყოფილია. ამგვარად, გვექნება $\int f(x)dx = \int_a^x f(t)dt + C$.

ეს ფორმულა საშუალებას გვაძლევს ფუნქციის ინტეგრირების ამოცანაში გამოვიყენოთ განსაზღვრული ინტეგრალის ცნება. იგივე კავშირი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შებრუნებული მიზნისათვის: მაგ., ყოველი უწყვეტი $f(x)$ ფუნქციის განსაზღვრული ინტეგრალი $\int_a^b f(x)dx$ შეიძლება წარმოვადგინოთ $F(b)-F(a)$ სხვაობის სახით, სადაც $F(x)$ აღნიშნავს $f(x)$ ფუნქციის ნებისმიერ პირველყოფილს.

ფუნქციათა ინტეგრირების ამოცანა გართულებულია იმით, რომ ელემენტარული $f(x)$ ფუნქციის განუსაზღვრელი ინტეგრალი ყოველთვის არ გამოისახება ელემენტარული ფუნქციების საშუალებით. ისტორიულად O. ა-ის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა ისეთი ელემენტარული $f(x)$ ფუნქციების კლასების დახასიათება, რ-თა ინტეგრირება კვლავ ელემენტარულ ფუნქციებამდე მიგვიყვანს. ასეთი ტიპის საკითხების კვლევა ემყარება ინტეგრირების ზემოაღნიშნულ ძირითად ხერხებს და ელემენტარულ ფუნქციათა უმარტივესი ინტეგრალების ძირითად ცხრილს (იხ. ცხრილი).

O. ა-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ x ცვლადის ნებისმიერი რაციონალური ფუნქციის ინტეგრირება შესაძლებელია ელემენტარულ ფუნქციათა კლასში.

ელემენტარულ ფუნქციათა სხვა კლასებიდან, რ-თა ინტეგრირება ელემენტარულ ფუნქციებში ხერხდება, აღსანიშნავია $R\left(x, \sqrt[n]{\frac{ax+b}{cx+d}}\right)$, $R\left(x, \sqrt{ax^2+bx+c}\right)$, $R(\sin x, \cos x)$ სახის ფუნქციები, სადაც $R(u, v)$ თავისი არგუმენტების რაციონალური ფუნქციაა, n კი — მთელი რიცხვი, a, b, c, d — მუდმივები.

O. ა-ის გეომ. გამოყენებანი ემყარება იმას, რომ $[a, b]$ მონაკვეთზე განსაზღვრული (დადებითი) $f(x)$ ფუნქციის ინტეგრალი $\int_a^b f(x)dx$ გეომეტრიულად გამოსახავს $f(x)$ ფუნქციის გრაფიკქვეშა ფართობს, ე. ი. სიბრტყის იმ (x, y) წერტილთა სიმრავლის ფართობს, რ-ებიც აკმაყოფილებენ უტოლობებს: $a \leqslant x \leqslant b$, $0 \leqslant y \leqslant f(x)$. ასევე სავსებით გამოსახავს ორი ცვლადის (დადებითი) $f(x,y)$ ფუნქციის $\iint f(x,y)\,dxdy$ ორჯერადი ინტეგრალი იმ (x, y, z) წერტილთა სიმრავლის მოცულობას, რ-ნიც აკმაყოფილებენ პირობებს: $(x, y) \in D$, $0 \leqslant z \leqslant f(x, y)$, სადაც D აღნიშნავს f ფუნქციის განსაზღვრის არეს. ინტეგრალს ფართოდ იყენებენ აგრეთვე მექანიკაში, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებაში.

გამოყენებითი ხასიათის მრავალი ამოცანა მოითხოვს ინტეგრალის ცნების გავრცელებას იმ შემთხვევებისათვის, როცა $f(x)$ არაა შემოსაზღვრული თავისი განსაზღვრის $[a,b]$ მონაკვეთზე ან $f(x)$ განსაზღვრულია უსასრულო მონაკვეთზე. უკანასკნელი შემთხვევისათვის მაგ., $\int_a^\infty f(x)dx$ განისაზღვრება, როგორც $\lim_{b\to\infty}\int_a^b f(x)dx$, თუ $f(x)$ არაა შემოსაზღვრული მისი განსაზღვრის $[a, b]$ მონაკვეთის რაიმე „c წერტილში", $\int_a^b f(x)dx$ განისაზღვრება, როგორც ზღვარი $\lim\left[\int_a^{c-\alpha} f(x)dx + \int_{c+\beta}^b f(x)dx\right]$ გამოსახულებისა, როცა $\alpha>0$, $\beta>0$ მცირე რიცხვებია და $\alpha\to 0$, $\beta\to 0$. ორივე ზემოაღნიშნულ განზოგადებას $f(x)$ ფუნქციის არასაკუთრივი ინტეგრალი ეწოდება. როცა უკანასკნელი ზღვარი არ არსებობს, ამბობენ, რომ $\int_a^b f(x)dx$ არასაკუთრივი ინტეგრალი განშლადია. ეს არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ არსებობს $\lim_{\alpha\to 0}\left[\int_a^{c-\alpha} f(x)dx + \int_{c+\alpha}^b f(x)dx\right]$. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ არსებობს $\int_a^b f(x)dx$ კოშის მთავარი მნიშვნელობით.

ლიტ.: მათემატიკური ანალიზის კურსი, ტ. 1—2, თბ., 1963—68; რაზმაძე ა., ინტეგრალური აღრიცხვის კურსი, ნაწ. 1 — განუსაზღვრელი ინტეგრალები, ტფ., 1922; Вилейтнер Г., История математики от Декарта до середины XIX столетия, пер. с нем., 2 изд., М., 1966; Курант Р., Курс дифференциального и интегрального исчисления, пер. с нем. и англ., 4 изд., т. 1, М., 1967; Лейбниц Г., Избр. отрывки из математических сочинений, пер. с лат., «Успехи математических наук», 1948, т. 3, в. 1; Ньютон И., Математические работы, пер. с лат., М.—Л., 1937; Смирнов В. И., Курс высшей математики, 22 изд., т. 1, М., 1967; Стройк Д. Я., Краткий очерк истории математики, пер. с нем., 2 изд., М., 1969; Фихтенгольц Г. М., Курс дифференциального и интегрального исчисления, 7 изд., т. 2, М., 1969; Хинчин А. Я., Краткий курс математического анализа, 3 изд., М., 1957.

ი. ქარცივაძე.

ინტეგრალური განტოლებები, განტოლებები, რ-ებიც უცნობ ფუნქციებს შეიცავენ ინტეგრალის ნიშნის შიგნით. ფიზ. და მათ. ფიზ. მრავალრიცხოვან ამოცანებს მივყავართ სხვადასხვა ტიპის O. გ-მდე. პირველი რიგის წრფივი ინტეგრალური განტოლება ეწოდება $\int_a^b K(x,t)u(t)dt = f(x)$ სახის განტოლებას, ხოლო მეორე რიგის წრფივი ინტეგრალური განტოლება ან ფრედჰოლმის განტოლება $-u(x) - \int_a^b K(x,t)u(t)dt = f(x)$ სახის განტოლებას (თუ $f(x)\equiv 0$, მაშინ მას ეწოდება ფრედჰოლმის ერთგვაროვანი განტოლება); როგორც წესი, განიხილება λ-პარამეტრიანი ფრედჰოლმის განტოლებები: $u(x) - \lambda\int_a^b K(x,t)u(t)dt = f(x)$.

ყველა განტოლებაში $K(x, y)$ ფუნქცია $(a \leqslant x \leqslant b, a \leqslant y \leqslant b)$, ე. წ. O. გ-ის ბირთვი, ცნობილია, ისევე როგორც $f(x)$ ფუნქცია (აქაც $a \leqslant x \leqslant b$); საძებნია $u(x)$ ფუნქცია $(a \leqslant x \leqslant b)$. $K(x, y)$, $f(x)$, $u(x)$ ფუნქციებსა და λ პარამეტრს შეუძლიათ მიიღონ როგორც ნამდვილი, ისე კომპლ. მნიშვნელობები. კერძოდ, თუ $K(x, y)$ ბირთვი ნულის ტოლი ხდება, როდესაც $y>x$, მიიღება ვოლტერის განტოლება:

$$u(x) - \lambda\int_b^x K(x, t)u(t)dt = f(x).$$

O. გ-ს ეწოდება განსაკუთრებული, თუ ინტეგრირების ერთი საზღვარი მაინც არის უსასრულო ან $K(x, y)$ ბირთვი უსასრულობად იქცევა $a \leqslant x \leqslant b$, $a \leqslant y \leqslant b$ კვადრატის ერთ ან რამდენიმე წერტილში ან რომელიმე წირზე. O. გ. შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ცვლადის ფუნქციებისათვის. ასეთია, მაგ.,

$$u(x, y) - \lambda\int_{a_1}^{b_1}\int_{a_2}^{b_2} K(x, y, s, t)\,u(s,t)\,dsdt = f(x, y)$$

განტოლება.

განიხილავენ აგრეთვე არაწრფივ O. გ-ებს. მაგ.,

$$u(x_1) = \lambda\int_a^b K(x_1, x)\,f[u(x), x]dx \quad \text{ან}$$

$$u(x_1) = \lambda\int_a^b F[x_1, x, u(x)]\,dx$$

სახის განტოლებებს.

მეორე გვარის O. გ. ამოიხსნება შემდეგი მეთოდებით: 1. $u(x)$ ამონახსნი მიიღება λ-ს ხარისხების მიმართ ალებული მწკრივების სახით (ეს მწკრივები კრებადია, როცა $|\lambda| < K$) x-ზე დამოკიდებულ კოეფიციენტებით (ვოლტერა-ნეიმანის მეთოდი); 2. $u(x)$ ამონახსნი, λ-ს იმ მნიშვნელობებისათვის, რ-თათვისაც ის არსებობს, გამოისახება λ ცვლადის მთელი ფუნქციების საშუალებით (ფრედჰოლმის მეთოდი); 3. იმ შემთხვევაში, როდესაც ბირთვი სიმეტრიულია, ე. ი. $K(x,y) \equiv K(y, x)$, ამონახსნი $u(x)$ გამოისახება $u_k(x)$ ორთოგონალურ ფუნქციათა მწკრივების საშუალებით, ამასთან $u_k(x)$ ფუნქციები აკმაყოფილებს შესაბამის ერთგვაროვან განტოლებას (ჰილბერტ-შმიდტის მეთოდი):

$$u(x) - \lambda\int_a^b K(x, t)u(t)dt = 0.$$

4. ზოგიერთ კერძო შემთხვევაში ამონახსნი მარტივად მიიღება *ლაპლასის გარდაქმნის* საშუალებით; 5. იმ შემთხვევაში, როდესაც

$$K(x, y) = \sum_{i=1}^{n} p_i(x)q_i(y) \quad \text{(ე. წ. გადაგვარებული ბირთვი)},$$

$u(x)$-ის მოძებნა დაიყვანება ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე.

O. გ-მდე ხშირად დაიყვანება ჩვეულებრივ ან კერძოწარმოებულიან დიფერენც. განტოლებათა სასაზღვრო ამოცანები; ასევე დაყვანას აქვს როგორც თეორ., ისე პრაქტ. მნიშვნელობა.

ლიტ.: Петровский И. Г., Лекции по теории интегральных уравнений, 3 изд., М., 1965; Смирнов В. И., Курс высшей математики, 3 изд., т. 4, М., 1957.

ინტეგრალური გეომეტრია, მათემატიკის დარგი; შეისწავლის წერტილების, წირების, სიბრტყეებისა და სხვ. გეომეტრიული ობიექტების ზოგიერთ სპეც. რიცხობრივ მახასიათებლებს („ზომას"), რ-თა გამოთვლიან ინტეგრირების საშუალებით. ამასთან „ზომა" უნდა აკმაყოფილებდეს ადიტიურობისა და მოძრაობის მიმართ ინვარიანტობის მოთხოვნებს. O. გ-ს მიეკუთვნება, პირველ რიგში, სიგრძეების, ფართობებისა და მოცულობების პოვნის ამოცანები, რ-თა გადაწყვეტა შესაძლებელია ინტეგრირებით.

O. გ-ის განვითარებას ბიძგი მისცა ე. წ. გეომ. ალბათობის ამოცანებმა, რ-ებშიც ალბათობა განისაზღვრება როგორც სასურველ შედეგთა ზომის ფარდო-

ბა ყველა შესაძლებელი შემთხვევის ალბათობათა ზომასთან.

XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. გამოკვლევები O. ბ-ის დარგში ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული გეომ. ალბათობებთან (მ. კროფტონი, ა. პუანკარე), XX ს. 20-იან წლებში კი O. ბ. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დარგად.

ლიტ: Бляшке В., Лекции по интегральной геометрии, пер. с нем., «Успехи математических наук», 1938, в. 5.

ინტეგრალური ელექტრონიკა, ინტეგრალური მიკროელექტრონიკა, ელექტრონიკის დარგი, რ-იც წყვეტს *ინტეგრალურ სქემათა* და ფუნქციურ მოწყობილობათა კონსტრუირების, დამზადებისა და გამოყენების პრობლემებს. O. ე. ნახევრადგამტარიან ხელსაწყოთა დამზადების ტექნოლ. განვითარების შემდგომი სტადიაა. თანამედროვე ეტაპზე O. ე-ის მთავარი პრობლემაა ინტეგრ. სქემების (ნახევრადგამტარიანი, აფსკური, ჰიბრიდული), ოპტოელექტრონული თუ მოლეკტრონული მოწყობილობებისა და იონური ხელსაწყოების, აგრეთვე ფუნქციური ინტეგრ. კვანძების შექმნა (იხ. *მიკროელექტრონიკა, ფუნქციური ელექტრონიკა* და *ოპტოელექტრონიკა*). ყველაზე მეტად განვითარებულია ნახევრადგამტარიანი და აფსკური (ჰიბრიდული) მიკროელექტრონიკა, რ-იც უზრუნველყოფს სტანდ. ინტეგრ. სქემების სერიულ სამრეწვ. წარმოებას. ინტეგრ. სქემებს ფართოდ იყენებენ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებში, კავშირგაბმ. და საკონტროლო-საზომ აპარატურაში, საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონულ ხელსაწყოებში და სხვ., O. ე-ის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება *დიელექტრიკული ელექტრონიკაა.*

მ. კობაძიძე.

ინტეგრალური სტერეოკინო, *სტერეოსკოპული კინო,* რ-შიც მოცულობითსივრცული გამოსახულება შექმნილია რასტრულ ეკრანზე არა ორი გამოსახულების ერთდროული დაპროექციების შედეგად (როგორც ამას ადგილი აქვს ერთწყვილა სტერეოსკოპულ კინოში), არამედ მრავალი ბრტყელი ურთიერთდაკავშირებული კადრის დაპროექციებით, თუმცა მაყურებელი ყოველ მეყსეულ მომენტში მხოლოდ ორ გამოსახულებას ხედავს (ერთს — მარცხ., ხოლო მეორეს — მარჯვ. თვალით).

O. ს-ს მეთოდი მსოფლიოში პირველად (1962—63) წამოაყენა უსათვალო სტერეოსკოპული კინოს საბჭ. გამომგონებელმა ს. ივანოვმა. 1965 დემონსტრირებულ იქნა O. ს-ს მეთოდით გადაღებული ექსპერ. ფილმი (რეჟ. ნ. ეკი), ხოლო 1972 მოსკოვში კინოთეატრში უჩვენეს ამავე მეთოდით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ყირიმის სამხრეთ ნაპირზე" (რეჟ. და ოპერატორი ნ. ბოლშაკოვი).

ინტეგრალური სქემა, ინტეგრალური მიკროსქემა, მიკრომინიატიურული მოწყობილობა, რ-ის ელემენტები (ან მათი ნაწილი) ერთმანეთთან ელექტრულადაა შეერთებული და კონსტრუქციულად განუყოფელია. განასხვავებენ ნახევრადგამტარიან, აფსკოვან და ჰიბრიდულ O. ს-ებს. აფსკური O. ს-ის მიზანებად განსაზღვრულ ტემპ-რაზე გაზრდილ და გაპრიალებულ კერამ. ფუძეშრეზე მცირე წნევის ($1 \cdot 10^{-5}$ *მმ ვწყ. სვ*) პირობებში თხელ (< 1 *მკმ*) ან სქელ ფენად (>1 *მკმ*) დალექავენ სხვადასხვა მასალას (ალუმინს, ოქროს, ტიტანს, ნიქრომს და სხვ.).

ნახევრადგამტარიანი და ჰიბრიდული სქემები კონსტრ. და ელექტრული მახასიათებლებით ერთმანეთს ავსებენ, ამიტომ მათი გამოყენება ერთსა და იმავე მოწყობილობაში ერთდროულად შეიძლება. გარე ზემოქმედებისაგან დასაცავად O. ს-ს კორპუსში ათავსებენ.

მ. კობაძიძე.

ინტეგრალური წირი, წირი, რ-იც გეომეტრიულად გამოსახავს *დიფერენციალური განტოლების* ან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნს.

ინტეგრატორი, მაინტეგრირებელი მოწყობილობა, გამომთვლელი მოწყობილობა, რ-ითაც გამოთვლიან ინტეგრალს (მაგ., $z=\int_{x_0}^{x} y dx$ ტიპისას, სადაც x და y შესასვლელი ცვლადებია). შესასვლელი ცვლადი სიდიდე შეიძლება იყოს მექან. გადანაცვლება, წნევა, ელექტრული დენი (ძაბვა), იმპულსების რიცხვი, ტემპ-რა და მისთ. O-ს იყენებენ როგორც დამოუკიდებელ გამომთვლელ მოწყობილობად (მაგ., ამოცანათა ამოსახსნელად), ავტომ. რეგულირების სისტემის ელემენტად, ფიზ. პროცესების დამოდელებისათვის და ა. შ. იგი გამომთვლელი მანქანის ელემენტიცაა.

ციფრული O. შედის ციფრული დიფერენც. ანალიზატორებისა და ზოგიერთი სპეციალიზებული გამომთვლელი სისტემის (მაგ., ინტეროპოლატორის) შედგენილობაში.

ინტეგრაცია (ლათ. integratio — აღდგენა, შევსება < integer — მთელი), სისტემათა თეორიის ცნება, რ-იც ასახავს ცალკეული დიფერენცირებული ნაწილების მთლიანობით კავშირს და მისი წარმოქმნის პროცესს. სოც. O. გამოხატავს ინდივიდების, ჯგუფების, ორგანიზაციების, სახელმწიფოებისა და მისთ. მოწესრიგებულ ურთიერთობათა არსებობის ფაქტს. სხვადასხვა დონეზე და მასშტაბში იგი განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. მაგ., პიროვნების O. მორალურ-ფსიქოლ. თვალსაზრისით გამოხატავს მისი ხასიათის მთლიანობას („პრინციპული", „მტკიცე ხასიათის", „მტკიცე ნებისყოფის" და ა. შ.); სოც. სისტემის დონეზე „ინტეგრირებული პიროვნება" ნიშნავს ინდივიდის შერწყმას სოც. მთელთან. ამასთან, O-ს იყენებენ როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური აზრით, რაც დამოკიდებულია სოც. სისტემის დადებით ან უარყოფით შეფასებაზე. უკანასკნელ შემთხვევაში ხშირად იყენებენ „დეზინტეგრაციის" ცნებას.

გ. ასათიანი.

ინტეგრაცია (ბიოლ.), მთლიანი ორგანიზმის სტრუქტურათა და ფუნქციათა მოწესრიგების, ურთიერთშეთანხმებისა და გაერთიანების პროცესი. მოლეკულურ დონეზე O-ის მაგალითია: ამინომჟავების O. ცილის რთულ მოლეკულაში, ნუკლეოტიდების O. ნუკლეინის მჟავების მოლეკულაში. უჯრედულ დონეზე— ბირთვის ჩამოყალიბება, უჯრედის, როგორც მთლიანობის, თვითწარმოქმნა. მრავალუჯრედიან ორგანიზმში O. აღწევს უმაღლეს დონეს და გამოიხატება ონტოგენეზის პროცესებში: იზრდება ორგანიზმის ნაწილებისა და ფუნქციების ურთიერთკავშირი, რთულდება კორელაციების სისტემა, წარმოიქმნება რეგულატორული მექანიზმები, რ-ებიც განაპირობებენ განვითარებადი ორგანიზმების მთლიანობას; პოპულაციების, სახეობებისა და ბიოცენოზების დონეზე O. ვლინდება ამ სისტემების რთულსა და ურთიერთგანპირობებულ ევოლუციაში. O-ის ხარისხი გამოხატავს ნებისმიერი ცოცხალი სისტემის პროგრ. განვითარების დონეს.

O. ფიზიოლოგიაში — მთლიანი ორგანიზმის კერძო ფიზიოლ. მექანიზმების ფუნქციური გაერთიანება რთულ კოორდინირებულ შემგუებლურ მოქმედებად. O-ის ელემენტარული ერთეული — ფუნქციური სისტემა — ცენტრალურ-პერიფერიული წარმონაქმნების ერთიანობაა, რ-იც უზრუნველყოფს გარკვეული ფუნქციის თვითრეგულაციას. აღნიშნული პრინციპები მოქმედებს ნერვული სისტემის ყველა დონეზე, თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ჩათვლით. ფიზიოლ. O-ის უმაღლესი გამოვლინებაა *პირობითი რეფლექსი.*

ინტეგრაცია ეკონომიკური, წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და მისი განსაზოგადოების მაღალი დონის, სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის საფუძველზე წარმოშობილი საერთაშ. სამეურნეო კომპლექსების ურთიერთდაახლოების, შეთანაწყობისა და შეზრდის ობიექტურად განპირობებული, შეგნებულად რეგულირებადი პროცესი. ეს პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა სოც.-ეკონ. პირობებში. განასხვავებენ კაპიტალ. და სოციალ. ეკონ. O-ს. ეკონ. O. საზ. ცხოვრების სხვა სფეროებშიც — პოლიტიკაში, იდეოლოგიასა და კულტურაში — მოასწავებს ერების დაახლოებას. ეკონ. O-ის საფუძველია წარმოების საზ. ხასიათის გაძლიერება, მრავალი ერის სახელმწიფოთა ეკონ. ურთიერთკავშირის განმტკიცება და გაფართოება, წარმოების ერთ საზ. პროცესად მათი გაერთიანება. ეკონ. O. არის წარმოების ინტერნაციონალიზაციის უმაღლესი ფორმა. იგი მეცნ.-ტექ. რევ. პირობებში ასახავს ღრმა და მტკიცე საერთაშ. შრომის დანაწილების, ეროვნ. ბაზრების სივიწროვისა და შეზღუდულობის დაძლევის, ქვეყნების ეკონ. და მეცნ.-ტექ. კავშირის გაფართოების, წარმოების საერთაშ. სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს. ეს ტენდენციები გზას იკაფავენ ჯერ კიდევ მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის პირობებში და შემდგომ ვითარდებიან იმპერიალიზმის დროს. გარკვეულ ეტაპზე (XX ს. 50-იანი წლებიდან დაწყებული) წარმოიშვა ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირის სხვადასხვა ფორმის მიზანმიმართული რეგულირების ობიექტური მოთხოვნილება, რ-იც კაპიტალ. ქვეყნების რეგიონალურ ეკონ. O-ში აისახა. სოციალიზმის დროს ეკონ. O. იძენს სრულიად ახ. შინაარსს და ვითარდება სოციალ. თანამეგობრობის ინტერესებისათვის.

წარმოების ინტერნაციონალიზაციისაგან განსხვავებით, რ-შიც ყველა ქვეყანა ებმება, ეკონ. O. მოიცავს ერთიანი სოც.-ეკონ. სტრუქტურის, ერთი ტიპის წარმოების წესის მქონე ქვეყნებს. კაპიტალ. და სოციალ. ეკონ. O-ები ზოგიერთი საერთო ობიექტური წანამძღვრის მიუხედავად, ღრმად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოც.-კლასობრივი ბუნებით, განხორციელების ფორმებითა და მეთოდებით, მიზნებითა და საბოლოო შედეგებით.

კაპიტალ. O. ვითარდება კაპიტალ. წარმოებრივ ურთიერთობათა ბაზაზე. მისი შინაარსი და სოც.-ეკონ. წანამძღვარია კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, მონოპოლიების ძლიერების ზრდა, მონოპ. კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწ. მონოპ. კაპიტალიზმში. იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალ. ქვეყნების ეკონ. და პოლიტ. განვითარების უთანაბრობამ, ამერ. მონოპოლიების ფარიო ექსპანსიამ გააძლიერა კაპიტალ. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ინტეგრაციულ დაჯგუფებათა შექმნის ტენდენციები. მნიშვნელოვან ფაქტორს, რ-მაც განაპირობა ინტეგრაციული ტენდენციების წარმოშობა, წარმოადგენდა ევროპაში II მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი პოლიტ. მდგომარეობა — მსოფლიო სოციალ. სისტემის შექმნა, იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის კრიზისი და რღვევა.

კაპიტალ. O-ის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო 1951 ნახშირისა და ფოლადის ევრ. გაერთიანების (ნფეგ) შექმნა. 1958 საფრანგეთმა, გფრ-მ, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდმა და ლუქსემბურგმა შექმნეს ევრ. ეკონ. გაერთიანება (ეეგ), რ-ის მიზანი იყო ერთიანი ბაზრის შექმნა (აქედანაა დაჯგუფების მეორე სახელწ. — „საერთო

ბაზარი") და ეეგ-ის წევრი ქვეყნების ურთიერთობებში შეთანხმებული ეკონ. პოლიტიკის გატარება. 1960 ეეგ-ის წინააღმდეგ შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ევრ. ასოციაცია (თვეა), რ-შიც შევიდა 7 ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი, შვეიცია, ნორვეგია, დანია, შვეიცარია, ავსტრია, პორტუგალია.

ინტეგრაციული პროცესები უფრო ფართოდ განვითარდა „საერთო ბაზრის" ფარგლებში.

კაპიტალ. O-ის საფუძველზე რეგიონული ეკონ. დაჯგუფების შექმნამ ევროპაში ვერ მოსპო მწვავე წინააღმდეგობანი როგორც მათში შემავალ ქვეყნებს, ისე ეკონ. დაჯგუფებებსა და „მესამე სამყაროს" ქვეყნებს შორის. ამას მოწმობს მწვავე კონკურენციული ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნის მონოპოლიებს შორის, პერიოდულად წარმოშობილი სავალუტო და სავაჭრო ომები.

კაპიტალ. O., როგორც კაპიტალ. ქვეყნების ურთიერთკავშირის სახელმწ.-მონოპ. რეგულირების ეკონ. და პოლიტ. პროცესი, მსხვილი სამეურნეო კომპლექსების შექმნის ეროვნ. საზღვრებს მიღმა ბაზრების გაფართოების ხელშემშლელი ეროვნ.-ეკონ. ზღუდეების მოხსნის იარაღად იქცევა. იგი ხელს უწყობს უფრო ძლიერი იმპერიალ. ქვეყნის კაპიტალის შეღწევას ნაკლებად ძლიერი პარტნიორების ეკონომიკაში. კაპიტალ. O-ს მონოპ. კაპიტალი იყენებს კაპიტალ. ქვეყნების ეკონომიკაში თავისი ბატონობის გასაძლიერებლად, უფრო მეტი მოგების მისაღებად, მშრომელი მასების ექსპლუატაციის გასაძლიერებლად, აგრეთვე ბრძოლის იარაღად სოციალ. ქვეყნების წინააღმდეგ.

სოციალ. ეკონ. O. არის მაღალეფექტიანი, ერთიანი ეკონ. სისტემის შექმნისათვის ეროვნული ქვეყნების ეკონომიკათა მჭიდრო ურთიერთკავშირის დამყარების, დაახლოების, ეროვნ. მეურნეობათა სტრუქტურის ოპტიმიზაციის შეგნებულად და გეგმაზომიერად რეგულირებადი პროცესი, რაც ხორციელდება სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობათა მიერ.

სოციალ. ეკონ. O-ის მიზნები, პრინციპები და ამოცანები აისახა 1971 წ. ივლისის ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) XXV სესიის მიერ მიღებულ „ეუს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა და თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფისა და გაღრმავების კომპლექსურ პროგრამაში".

სოციალ. ეკონ. O. მოიცავს ეუს წევრ ქვეყნებს — ბულგარეთს, უნგრეთს, გდრ-ს, კუბას, მონღ. სრ-ს, პოლონეთს, რუმინეთს, სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას; ინტეგრაციულ ღონისძიებათა დასახვა-განხორციელებაში მონაწილეობს აგრეთვე იუგოსლავია. კომპლ. პროგრამა გამიზნულია 15—20 წლისათვის და ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებათა ეტაპობრივ შესრულებას. იგი განსაზღვრავს საბოლოო შედეგების მიღწევის გზებსა და საშუალებებს და ეუს-ს ქვეყნების დაჩქარებულ ეკონ. განვითარებას, მაღალი მეცნ.-ტექ. დონის მიღწევას, საზ. წარმოების ეფექტიანობის მაქს. ამაღლებას, სათბობ-ენერგეტ. პრობლემის გადაწყვეტას, ქვეყნების უზრუნველყოფას ნედლეულით, თანამედროვე მოწყობილობით, სას.-სამ. და სახალხო მოხმარების საქონლით, ეუს-ს წევრი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების მატერ. და კულტ. დონის ამაღლებას.

სოციალ. ეკონ. O-ის განვითარების პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წარმოების საერთაშ. სპეციალიზაციასა და კოოპერირებას, ეკონ. ძირითად დარგთა განვითარების, ხანგრძლივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას, გრძელვადიანი სახ.-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, სოციალ. ეკონ. O. ძირეულად განსხვავდება კაპიტალ. O-გან. იგი ხორციელდება პროლეტ. ინტერნაც., სახელმწ. სუვერენიტეტის პატივისცემით, დამოუკიდებლობისა და ეროვნ. ინტერესების დაცვის პრინციპების საფუძველზე. მისი ინტეგრაციული ღონისძიებანი, ორგანიზაციულ-სამართლ. ფორმები და ეკონ. მექანიზმი არ ქმნის „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებისათვის რაიმე დაბრკოლებებს. იგი ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს ემსახურება. მისი უპირატესობანი ვლინდება სოციალ. ქვეყნების ეკონ. გეგმაზომიერი დინამ. ზრდით. 1975 ეუს წევრმა ქვეყნებმა აწარმოეს ორჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ეეგ-ის ქვეყნებმა. ეუს ქვეყნებში ელექტროენერგიის გამომუშავებამ 1975 მიაღწია 1386 მლრდ. *კვს.* უფროს ქვეყნებში გამომუშავებულმა კი 1010 მლრდ. *კვს.* 1971—75 ეუს ქვეყნებში ეროვნ. შემოსავალი 36%-ით, შრომის ნაყოფიერება 30%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში მშრომელთა რეალური შემოსავალი გაიზარდა 29%-ით. ეს მაღალი მაჩვენებლები იმ წლებში მოიპოვეს, როდესაც კაპიტალ. ქვეყნები, მ. შ. ეეგ-ის ქვეყნები, განიცდიდნენ ძმიმე მსოფლიო ეკონ. კრიზისს, რასაც მოჰყვა წარმოების მკვეთრი დაცემა, მშრომელთა შემოსავლის შემცირება, უმუშევრობა და კრიზისის თანმხლები სხვა უარყოფითი მოვლენები.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მისივე, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, იქვე, ტ. 22; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; Комплексная программа дальнейшего углубления и совершенствования сотрудничества и развития социалистической экономической интеграции стран — членов СЭВ, М., 1971; Алексеев А. В., Паньков В. С., Противоречия капиталистической интеграции, М., 1976.

ინტეგუმენტი (ლათ. integumentum— საფარი), თესლოვანი მცენარეების თესლკვირტის ნაწილი, რ-იც ფარავს ნუცელუსს (თესლკვირტის ცენტრ. ნაწილი). ზოგი მცენარის თესლკვირტს ერთი O. აქვს, ზოგისას (კერძოდ, ერთლებნიანებისას)—ორი. განაყოფიერების შემდეგ O-იდან ვითარდება თესლის კანი.

ინტელექტი (ლათ. intellectus — გაგება, შემეცნება, გონება), პიროვნების თვისება, რ-იც აზროვნების უნარის, აზროვნების ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში მას აზროვნების დისპოზიციას უწოდებდნენ. O-ის ზოგადი განსაზღვრა მას უპირისპირებს ქცევის თანდაყოლილ ფორმებს და თანდათანობითი წვრთნის შედეგად ახ. სიტუაციის შესატყვისი ქცევის შემუშავების უნარს, როგორც ინდივიდისათვის ახ. ამოცანის (ფართო მნიშვნელობით) გადაწყვეტისა და წვრთნის გარეშე ახ. სიტუაციასთან ფსიქ. შეგუების უნარს . O-ს, როგორც „ზოგად გონიერებას", უპირისპირებენ ნიჭს ან ტალანტს, როგორც რომელიმე სპეციფ. დარგში (მათემატიკაში, ხატვაში, მუსიკაში, პოეზიაში, ტექნიკაში...) მოქმედების უნარს. *რ. ნათაძე.*

ინტელექტუალური საკუთრება, იმ უფლებათა ერთობლიობა, რ-ებიც წარმოშობიან შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით ლიტ-რის, ხელოვნების, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი წარმოების სფეროში. O. ს-ის ობიექტებია ლიტერისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ხელოვანის შემსრულებლობითი საქმიანობა, მაგნიტოფონური და გრამოფონური ჩანაწერი, რადიო- და ტელეგადაცემა, მეცნ. ნაშრომი და აღმოჩენა, გამოგონება, სამრეწვ. ნიმუში, სასაქონლო ნიშანი, საფირმო დასახელება და ა. შ. საბჭ. კანონმდებლობაში ტერმინი „O. ს." არ იხმარება.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო მთავრობითი ორგანიზაცია, რ-იც შეიქმნა სტოკჰოლმის 1967 კონვენციით. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებითს მუშაობას, *ინტელექტუალური საკუთრების* დაცვას მთელ მსოფლიოში, ლიტ-რისა და ხელოვნების ნაწარმოებთა და სამრეწვ. საკუთრების დაცვის საერთაშ. ორგანიზაციების საქმიანობას. O. ს. მ. ო-ის ორგანოებია: გენ. ასამბლეა, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენცია, საკოორდინაციო კომიტეტი (შედგება ბერნისა და პარიზის კავშირების აღმასკომთა წევრებისაგან) და საერთაშ. ბიურო (აღმასრ. ორგანო) ჟენევაში (შვეიცარია). O. ს. მ. ო-ის წევრთა შორისაა სსრკ, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ და ზოგიერთი სხვა სოციალ. სახელმწიფო.

ინტელიგენცია (ლათ. intelligentia— შემეცნებითი ძალა, ცოდნა < intelligens — გონიერი, მოაზროვნე), ადამიანთა საზოგადოებრივი ფენა, რ-ის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, უმთავრესად რთული, შემოქმედებითი შრომა შეადგენს, რ-იც ავითარებს და ავრცელებს კულტურას. ტერმინი „O." მწერალმა ნ. ბობორიკინმა შემოიღო (XIX ს. 60-იან წლებში) და რუსულიდან სხვა ენებშიც გავრცელდა. თავდაპირველად O-ს უწოდებდნენ საერთოდ განათლებულ ადამიანებს (დღესაც ხშირად ამ მნიშვნელობით ხმარობენ). O-ის სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა საზ. კლასს განეკუთვნება. მის განვითარებასთან ერთად ღრმავდებოდა მისი სოც.-პოლიტ. არაერთგვაროვნებაც. O. თავისი პირველადი ფორმით წარმოიქმნა მაშინ, როდესაც გონებრივი შრომა ფიზიკურს გამოეყო. გაჩნდა მცირერიცხოვანი სოც. ჯგუფები, რ-ებიც სახელმწიფოს მართავდნენ, მართლმსაჯულებას განაგებდნენ. ეს ადამიანები იყვნენ მეცნიერნი, ხელოვანნი და სხვ. O-ის ყველაზე ძვ. წარმომადგენლები ქურუმები იყვნენ. შუა საუკუნეებში მათი ადგილი დაიკავა სამღვდელოებამ, რ-ის უმაღლესი ფენა ფეოდ. კლასს ეკუთვნოდა. ექიმების, მასწავლებლების, მსახიობების და სხვ. გარკვეული ნაწილი მონებიდან, ყმებიდან და თავისუფალი მოსახლ. დაბალი ფენებიდან გამოდიოდა. ძველად და შუა საუკუნეებში გონებრივი შრომა მდიდართა პრივილეგია იყო, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ იქმნებოდა ე. წ. მსახურეული O., რ-იც დიდებულთა სამსახურში იყო და თავისი გონებრივი შრომის ხარჯზე ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ფილოსოფოსები, ექიმები, მზატვრები, ალქიმიკოსები, პოეტები; ჩინეთში O-ის ამ ნაწილს — განათლებულ მოხელეებს — მაღალი სოც. მდგომარეობა ეჭირათ. ევროპაში ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში მეფესთან დაახლოებული O-ის ზოგიერთი წარმომადგენელი მაღალ სახელმწ. თანამდებობებსაც აღწევდა. აღორძინების ეპოქას უკავშირდება მეცნ., ლიტ., მხატვრული, უფრო ნაკლებად, საინჟინრო-ტექ. O-ის მნიშვნელოვანი განვითარება. ამ ეპოქაში კულტურამ და O-მ მკვეთრად გამოხატული საერო ხასიათი მიიღო. O. თანდათანობით ივსებოდა მოსახლ. დაბალი ფენების წარმომადგენლებით. ლეონარდო და ვინჩი ნოტარიუსის შვილი იყო, უ. შექსპირი, ბ. სპინოზა, რემბრანდტი, ბ. ჩელინი და სხვ. ხელოსანთა და ვაჭართა წრიდან იყვნენ. აღორძინების ეპოქის O-ის მოღვაწეობა უმთავრესად ანტიფეოდ., ჰუმანისტურ ხასიათს ატარებდა. მ. *ლუთერის, ერაზმ როტერდამელის, ჟ. კალვინის,* შემდეგ *ჟოლტერის, ჟ. ჟ. რუსოს* სახელებთან არის დაკავშირებული რეფორმაციისა და ბურჟ. რევოლუციების იდეური საფუძვლის მომზადება.

O-ის ჭეშმარიტი ისტორია კაპიტალიზმის გაბატონებიდან იწყება. საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება გონებრივი საქმიანობით დაკავებულ ადამიანებზე. სამანქანო ინდუსტრიის განვითარებამ ბო-

ლო მოუღო O-ის ჰუმანიტარული ხასიათის უპირატესობას. მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის ხანაში O-ის მნიშვნელოვანი ნაწილი ბურჟ. რიგებში გადავიდა, რადგანაც ისინი დიდ ანაზღაურებას იღებდნენ (სპეციალისტებზე მოთხოვნილება დიდი იყო, ხოლო მათი რიცხვი — მცირე). ამავე დროს დას. ევროპაში, რუსეთსა და პოლონეთში თავადაზნაურული O. შეიქმნა. O-ის გარკვეული ნაწილი დამოუკიდებელ საქმიანობას ეწეოდა (მაგ., აშშ-ში — 1870 წ. 37,9%) — უმთავრესად იურისტები და ექიმები. სწორედ ამ დროს გაჩნდა ცნობილი გამოთქმა „თავისუფალი პროფესიები". ამ ტერმინს დღესაც ხშირად ხმარობენ ბურჟ. სოციოლოგიასა და სტატისტიკაში მთელი O-ის მიმართ. საინჟინრო-ტექ. O-ის მუშათა კლასთან სუსტი კონტაქტის, მეწარმეებთან ახლო კავშირის, ბურჟ. ცხოვრების წესის გამო, O-ის უმრავლესობის მსოფლმხედველობა ბურჟ. და წვრილბურჟ. ხასიათისა იყო. ამავე დროს O-ის წრიდან გამოდიოდნენ მშრომელთა ინტერესების დამცველი, რევ.-დემოკრ. იდეებით გამსჭვალული ადამიანები. O-ის ყველაზე ბოწინავე წარმომადგენლებმა შეძლეს საზ-ბის განვითარების ობიექტური კანონების დაუფლება, გამოიმუშავეს სოციალ. შეგნება და აზიარეს მას მუშათა კლასი. ასეთი იყო გზა კ. მარქსისა და ფ. ენგელსისა, ვ. ი. ლენინისა და მუშათა და სოციალ. მოძრაობის სხვ. მრავალი მოღვაწისა. კაპიტალიზმის ეპოქის მეცნიერებმა, გამომგონებლებმა, მწერლებმა და მხატვრებმა დიდი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის კულტ. საგანძურში. იმპერიალიზმის დროს მსხვილი სამანქანო ინდუსტრ. განვითარებასთან და განსაკუთრებით სამეცნ.-ტექ. რევ. დაწყებასთან ერთად O-ის რიცხვი მკვეთრად იზრდება. წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მეცნ. განვითარება ხელს უწყობს საინჟინრო-ტექ. O-ის და უწინარეს ყოვლისა, მეცნიერი მუშაკების რიცხობრივ ზრდას (უკანასკნელთა რიცხვი დაახლ. 10 წელიწადში ერთხელ ორმაგდება). მონოპ. ტენდენციებისა და სახელმწ. აპარატის ზრდის პირობებში ხდება O-ის ბიუროკრატიზაცია. O-ის ბევრ თვალსაჩინო წარმომადგენელს ბურჟ. მთავრობებში იწვევენ. „მასობრივი საკომუნიკაციო საშუალებების" განვითარებამ (ტელევიზია, კინო, რადიო, ბეჭდვითი სიტყვა), პოლიტ. ორგანიზაციების ორიენტაციამ მასებზე, „მასობრივი კულტურის" გავრცელებამ, აგრეთვე მმართველი წრეების მხრივ იდეოლ. ბრძოლის გააქტიურებამ წარმოშვა ე. წ. „შეგნების ინდუსტრია" და მასთან ერთად O-ის ახ. დიდი რაზმები, რ-ებიც ქმნიან და ავრცელებენ ამ ინდუსტრ. პროდუქტს (ჟურნალისტები, პოლიტ. პარტიების პროპაგანდისტული აპარატი, სოციოლოგები, ფსიქოლოგები). რელიგ. გავლენის შესუსტებასთან ერთად შემცირდა სამღვდელოებაც. სამაგიეროდ გაჩნდა ახ. პროფესიები, მაგ., სოც. ინჟინრები, „ადამიანთა ურთიერთობის" სპეციალისტები. თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში O-ის კლასობრივი მდგომარეობა ერთნაირი არაა. ნაკლებად განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში O. მცირერიცხოვანია. მთელ რიგ ახალგაზრდა ეროვნ. სახელმწიფოთა ადმ. აპარატში O-ის წარმომადგენლებმა მაღალი თანამდებობები დაიკავეს და გამოიყენეს თავიანთი მდგომარეობა პირადი გამდიდრების მიზნით. მათ ბიუროკრ. ბურჟ. ჩამოყალიბების პროცესში მთავარი როლი შეასრულეს. O-ის რევ.-დემოკრ. ჯგუფები, მაგ., პროგრესულად განწყობილი ოფიცრობა, ხშირად სათავეში უდგას ეროვნ. რევოლუციებს ძვ. ფეოდ. ბურჟ. ხელისუფლების წინააღმდეგ.

შრომის საზ. ორგანიზაციაში O. ბურჟუაზიას ემორჩილება. ჭეშმარიტად შემოქმედებით საქმიანობას მისი მხოლოდ მცირე ნაწილი ეწევა. ეს ტენდენცია აისახა საშ. და დაბალი რანგის სპეციალისტების—ტექნიკოსების, ლაბორანტების, მედდების, ფერშლებისა და სხვ. რაოდენობის ზრდაში. ამასთან დაკავშირებით სოციოლოგთა უმრავლესობა O-ს მიაკუთვნებს მხოლოდ მის მაღალ ფენას, რ-იც რთულ ინტელექტუალურ მოღვაწეობას ეწევა. ხოლო O-ის ის ფენა, რ-ის საქმიანობაში შემსრულებლობის ელემენტები ჭარბობს, გაიგივებულია „არაფიზიკური შრომის მუშაკების" სოც. ჯგუფთან. ამ გაგებით, O. კარგავს ერთიან საფუძველს, სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც ისტორიულად წარმავალი კატეგორია. კაპიტალიზმის პირობებში O-ის პროლეტარიზაციასთან ერთად ხდება „მუშათა O-ის" წარმოშობაც. ესენი არიან კომუნისტური და მუშათა პარტიების, პროგრ. პროფკავშირებისა და მშრომელთა სხვ. ორგანიზაციების აქტივისტები. O-ის მსოფლმხედველობა უკიდურესად არაერთგვაროვანია (სოც. კრიტიკიდან არსებული წყობილების დაცვამდე). ბურჟ. წყობილების ზოგიერთი სოც. კრიტიკოსი (ჟ. ბენდა, გ. მარკუზე, ჟ. პ. სარტრი და სხვ.) „მომხმარებელთა საზოგადოების" წინააღმდეგ გამოდის და ბრალს სდებს ტექნოკრატიულ O-ს, რ-იც მონოპ. ბურჟუაზიასთან თანამშრომლობს. კაპიტალ. ქვეყნების კომპარტიები ემხრობიან O-თან მჭიდრო კავშირს, ხელმძღვანელობენ კ. მარქსის თეზისით—კომუნიზმი მეცნიერებისა და შრომის კავშირია.

O. სოციალისტურ საზოგადოებაში. ბურჟ. წყობილების დამხობის შემდეგ დემოკრატიულად განწყობილი O. აქტიურად ჩაება სოციალ. მშენებლობაში. მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით ძვ. O. ეზიარა სოციალიზმის იდეალებს. კულტ. რევოლუციის შედეგად იქმნება ახ. O., რ-იც თანდათანობით ერწყმის ძველს და იქმნება ერთიანი სოციალ. O., მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი რთულია და კონფლიქტებით აღსავსე. განსაკუთრებით აღინიშნება საინჟინრო-ტექ. და მეცნ. მუშაკების რაოდენობის ზრდა. სოციალ. O. ძირითადად მუშათა კლასისა და გლეხობის რიგებიდან ივსება. იგი აქტიურად არის ჩაბმული საერთო შემოქმედებით შრომაში და სოციალ. იდეოლ. პოზიციებზე დგას.

O. რევოლუციამდელ რუსეთსა და სსრკ-ში. O-ის ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ კიევის რუსეთში (მემატიანე ნესტორი და სხვ.). მოსკ. სამთავროს აღმავლობისა და ცენტრ. სახელმწიფოს შექმნის ხანა აღინიშნა O-ის მცირერიცხოვან წარმომადგენელთა საქმიანობით (მხატვარი ანდრია რუბლიოვი, არქიტექტორები ბარმა, პოსტნიკი და სხვ.). XVII ს-ში და განსაკუთრებით XVIII ს-იდან რუსეთში იმატა O-ის რიცხვმა.

XVIII—XIX სს-ში O-მ დიდი წვლილი შეიტანა რუს. და მსოფლიო კულტურის განვითარებაში. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ მეცნიერები მ. ლომონოსოვი, ნ. ლობაჩევსკი, დ. მენდელეევი და სხვ.; პოეტები და მწერლები: ა. პუშკინი, ა. გრიბოედოვი, მ. ლერმონტოვი და სხვ.; კომპოზიტორები: მ. გლინკა, პ. ჩაიკოვსკი და სხვ.; მხატვრები: კ. ბრიულოვი, ი. რეპინი და სხვ. ცარიზმის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ მოწინავე თავადაზნაურული და რაზნოჩინული O-ის წარმომადგენლები ა. რადიშჩევი, დეკაბრისტები, ა. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი და სხვ. რუს. იმპერიაში O-ის ძირითადი ნაწილი ევრ. რუსეთში მოღვაწეობდა. სოც. თვალსაზრისით იგი ერთგვაროვანი არ იყო. თავადაზნაურული O. სახელმწ. განმგებლობაში მონაწილეობდა (უმაღლესი მოხელეები, ოფიცერთა კორპუსი) და შავრაზმულ-მონარქისტულ პოზიციებზე იდგა. ბურჟ. O-ში შედიოდა შემოქმედებითი და სამეცნ. O-ის დიდი ნაწილი, რ-იც ბურჟ.-ლიბერ. აზრებს იცავდა და მოგვიანებით კადეტთა პარტიის საფუძველი გახდა. წვრილბურჟ. O. (მასწავლებლები, საშ. სამედ. და ტექ. პერსონალი, დაბალი რანგის მოსამსახურენი და სხვ.) წარმოშობით ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას და გლეხობას ეკუთვნოდა. ამ ფენამ გარკვეული მონაწილეობა მიიღო 1905—07 რევოლუციაში, რ-ის დამარცხების შემდეგ მისი უმრავლესობა ლიბერ. ბურჟ. გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, 1917 კი მიემხრო თებ. რევოლუციას. მცირერიცხოვანი პროლეტ. O. უმთავრესად მუშათა რიგებიდან იყო გამოსული. მის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ბოლშევიკურმა პარტიამ, რ-საც მასებში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია შეჰქონდა.

ოქტ. რევოლუციიდან დაიწყო რუს. O-ის ისტორიის ახ. ეტაპი. ბოლშევიკური პარტია ცდილობდა O. პროლეტარიატის მოკავშირე ყოფილიყო სოციალ. რევოლუციაში და სოციალიზმის მშენებლობაში. მაგრამ ეს უცბად ვერ მოხერხდა. ბოლშევიკებს ემხრობოდა რუს. O-ის მხოლოდ 1—1,5%, მ. შ. იყვნენ გამოჩენილი მოღვაწენი კ. ტიმირიაზევი, კ. ციოლკოვსკი, ნ. ჟუკოვსკი, ი. პავლოვი, ა. ბლოკი, ვ. ბრიუსოვი, ა. სერაფიმოვიჩი და სხვ. მაგრამ O-ის უდიდესი ნაწილი ამ პერიოდში მერყეობდა. მისი შემობრუნება რევოლუციისაკენ დაიწყო 1918 ბოლოს. ეს იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რ-საც დიდი სამსახური გაუწია ვ. ი. ლენინის ბრძოლამ „მემარცხენე კომუნისტების" და მუშათა ოპოზიციის წინააღმდეგ. კომპარტიის უდიდესი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად O. აქტიურად ჩაება სოციალ. ეკონომიკისა და კულტ. მშენებლობაში, საბჭ. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

სსრკ-ში კულტ. რევ. ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი იყო სოციალ. O-ის წარმოშობა, განვითარება და აღზრდა. საბჭ. O. გამოირჩევა რთული შინაგანი სტრუქტურით. მისი უდიდესი ნაწილი გამოსულია მუშათა და გლეხთა რიგებიდან. იგი შედგება სსრკ-ში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლებისაგან. თავის საქმიანობაში O. განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით. საბჭ. O-ს ეკუთვნის უდიდესი როლი კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნაში, მეცნ. და ტექ., სოციალ. სულიერი კულტურის განვითარებაში, ქვეყნის სამხ. ძლიერების განმტკიცებაში, ბურჟ. იდეოლოგიასთან შეურიგებელ ბრძოლაში, საბჭ. ხალხის აღზრდაში მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით. O-ის ყველაზე შეგნებულ და აქტ. ნაწილს კომპარტია თავის რიგებში იღებს. სამეცნ. ტექ. რევ. პირობებში განუზომლად იზრდება O-ის როლი. კომპარტია განუხრელად ზრუნავს საბჭ. O-ის იდეურ წრთობაზე, პოლიტ. და საქმიანი აქტივობის, კომუნიზმის მშენებლობაში მისი როლის ზრდაზე.

საქართველოში ჯერ კიდევ ადრინდ. ფეოდალიზმის დროიდან იყვნენ მაღალპროფესიული O-ის წარმომადგენლები. ინტელექტუალური შრომის მაღალ დონეს მოწმობს უძველესი ეპოქის ლიტრის, ხელოვნებისა და მეცნიერების დიდებული ძეგლები.

სამეცნ.-შემოქმედებითი საქმიანობა განსაკუთრებით გაცხოველდა XI—XIII სს-ში. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ხუროთმოძღვარი არსუკისძე, პოეტი შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, ოქრომქანდაკებლები ბექა და ბეშქენ ოპიზრები; XIV ს-ში — მხატვარი დამიანე; XV—XVIII სს-ში მეცნიერები, მწერლები და პოეტები—ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, ანტონ I, იოანე ბატონიშვილი და სხვები.

ქართვ. O-ის ფორმირება ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX ს-ში. რუსეთთან შეერთებამ, რუს. გზით ევროპასთან სიახ-

ლოვემ, კაპიტალიზმის განვითარებამ დიდად შეუწყვეს ხელი ქართვ. დემოკრ. ი-ის ჩამოყალიბებას. მისი საუკეთესო წარმომადგენლები ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის პირველი ეტაპის ავანგარდში იდგნენ.

60-იან წლებში რუს. დემოკრ. მოძრაობაში ქართველმა ი-მ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა. რუს. რევოლუციონერ-დემოკრატებთან ერთად იგი მიზნად ისახავდა ცარიზმისა და ბატონყმობის ლიკვიდაციას, გლეხთა განთავისუფლებას, ქვეყნის სრულ დემოკრატიზაციას, ეროვნ. ჩაგვრის მოსპობას, ხალხის განათლებას. 60-იანი წწ. დემოკრ. ი-ის იდეური მედროშე იყო ი. ჭავჭავაძე, მისი თანამებრძოლები — ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვ. მათი შემოქმედების იდეურ პროფილს ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ამოცანები განსაზღვრავდა.

XIX ს. 90-იანი წლებიდან, ს.-დ. მოძრაობის ჩასახვისთანავე, საქართველოში დაიწყო რევოლუციურ-მარქსისტული ი-ის ჩამოყალიბება. იმპერიალიზმისა და პროლეტარიატის რევ. მოძრაობის მზარდი აღმავლობის ეპოქაში სრულად გამოიკვეთა ქართვ. ი-ის კლასობრივი სახე. თავადაზნაურული და ბურჟ. კლასებიდან გამოსული ი. ერთგულად ემსახურებოდა თავისი კლასის ინტერესებს. პროლეტარული ი., რ-ის რიგებში საკუთარი რწმენით თავადაზნაურული წარმომავლობის მრავალი ინტელიგენტი მოხვდა, დაეწაფა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას და ექსპლუატატორული რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში რუს. რევ.-მარქსისტული ი-ის მხარდამხარ დადგა. ქართვ. მარქსისტულ-ლენინური ი-ის საუკეთესო წარმომადგენლები არიან პროფ. რევოლუციონერები გ. თელია, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ა. ჯაფარიძე, მ. ცხაკაია და სხვ.

ოქტ. სოციალ. რევოლუციის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ქართვ. საბჭ. ი-ის შესაქმნელად. საქართველოში — წვრილბურჟ. ქვეყანაში — ი-ის უმრავლესობა თავისი სოც. შემადგენლობით წვრილბურჟუაზიული იყო. ცარიზმის უხეშმა კოლონ. პოლიტიკამ, ხოლო შემდეგ 1917—21 ბურჟ.-ნაციონალისტური პარტიების დიქტატურამ, ამ ი-ის დიდ ნაწილში გააბატონა ბურჟ.-ნაციონალისტური თვალსაზრისი. ქართვ. ი-ის ერთი ნაწილი (უმთავრესად თავადაზნაურობის წრიდან გამოსული) იდეურად რეაქციულ ბანაკში აღმოჩნდა. ქართვ. რევ. ი. ცარიზმისა და შემდეგ მენშევიკური მთავრობის დევნის გამო მცირერიცხოვანი იყო. საქართვ. კომპარტია თანდათან ძლეულ ხდა ამ სიძნელეებს. იგი უნარიანად იყენებდა ქვეყნის მმართველობაში, სახ. მეურნ. და კულტ. დარგების ხელმძღვანელობაში ძვ. ი-ს, ამავე დროს მუშათა და გლეხთა წრეებიდან ზრდიდა ახ. კადრებს. ი-ის ახ. კადრების სამჭედლო იყო 1918 დაარსებული თბილ. სახელმწ. უნ-ტი, ხოლო შემდეგ, 1920—30-იანი წლებიდან, უნ-ტის წიაღში შობილი მრავალრიცხოვანი დარგობრივი ინ-ტები. 1937—38 სასწ. წ. რესპ. 19 უმაღლეს სასწავლებელში 20 ათ-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენი რესპ. სამეურნეო და კულტ. მშენებლობაში განხორციელებულმა უდიდესი მნიშვნელობისა და გაქანების ღონისძიებებმა, კულტ. რევოლუციამ შექმნა სრულიად ახ. სოციალ. ი., რ-იც ორგანულადაა დაკავშირებული მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, მთელ საბჭ. საზ-ბასთან და ერთგულად ემსახურება კომუნისტური საზ-ბის მშენებლობას.

საბჭ. საქართველოში, რ-ის მოსახლეობა 5 მლნ. კაცს ჭარბობს, გონებრივი შრომის 623 ათ-ზე მეტი მუშაკია (1970 წ. მონაცემებით). ყოველ ათას მცხოვრებში 84 უმაღლესი განათლების მქონეა, საქართვ. უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად ათასობით ინჟინერს, აგრონომს, ექიმს, მასწავლებელსა და სხვ. სპეციალობის ინტელიგენტს უმზადებენ სახ. მეურნეობასა და კულტურას.

ქართვ. შემოქმედებითი ი.— მეცნიერების, ლიტ-რისა და ხელოვნების მუშაკები თავდადებულად შრომობენ ჩვენი რესპ. შემდგომი სამეურნეო-კულტ. აღმავლობისათვის.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., რა ვაკეთოთ?, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 5; მისივე, რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?, იქვე. ტ. 1; მისივე, ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი, იქვე, ტ. 4; Грамши А., Интеллигенция и организация культурной деятельности, Избр. произв., т. 3, М., 1959; Калинин М. И., О задачах советской интеллигенции, [М.], 1939; Луначарский А. В., об интеллигенции, М., 1923; Мамардашвили М. К., Интеллигенция в современном обществе, წგნ.: Проблемы рабочего движения, М., 1968; Bon F., Burnier M.-A., Les nouveaux intellectuels, P., 1966.

ა. სურგულაძე.

ინტელიგიბელური (ლათ. Intelligibilis — მოაზრებადი, შემეცნებადი), ფილოსოფიური ტერმინი; გამოხატავს საგნებსა და მოვლენებს, რ-თა წვდომა შესაძლებელია მხოლოდ გონებით ან ინტელექტუალური ინტუიციით. იგი ფართოდ აისახა *სქოლასტიკასა* და ი. *კანტის* ფილოსოფიაში.

ინტელიჯენს სერვის (ინგლ. Intelligence service), დიდი ბრიტანეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურების ქსლის კრებითი სახელწოდება. მასში შედის დაზვერვის ცენტრ. ორგანო—სიკრიტ ინტელიჯენს სერვისი, კონტრდაზვერვის ცენტრ. ორგანო—უშიშროების სამსახური, სხვადასხვა უწყებათა სადაზვერვო და საკონტრდაზვერვო სამსახურები. ი. ს-ის საკოორდინაციო ორგანოა საგარეო საქმეთა და ერთა თანამეგობრობის სამინისტროსთან არსებული დაზვერვის გაერთ. კომიტეტი. დაზვერვის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს მთავრობა. მისი საქმიანობა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია სსრკ-ისა და სხვ. სოციალ. ქვეყნების წინააღმდეგ, აგრეთვე ეროვნ.-განმათ. და დემოკრ. მოძრაობისა და დიდი ბრიტ. პროგრ. ორგანიზაციების წინააღმდეგ. ინგლ. დაზვერვა შეიქმნა XV ს. დამლევს და XVI ს. დამდეგს.

ინტენდანტი (ფრანგ. intendant — მმართველი, გამგე), შეიარაღებულ ძალებში თანამდებობის პირი, რ-იც განაგებს ჯარების სურსათით, იარაღით, სამხ.-სამეურნეო ქონებით მომარაგებასა და პირადი შემადგენლობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას. ი-ების ინტი წარმოიშვა საფრანგეთში XV ს-ში. რუსეთში 1801—08 არსებობდა გენ.- ი-ის თანამდებობა. 1864 სამხ. სამინისტროში შეიქმნა მთავარი საინტენდანტო სამმართველო. წითელ არმიაში 1935 სამხ.-სამეურნეო და ადმ. შემადგენლობისათვის შემოიღეს სამხ. წოდებები: II (I) რანგის ტექ. ი., III (II, I) რანგის ი., ბრიგინტენდანტი, დივინტენდანტი, კორპინტენდანტი, არმინტენდანტი, ხოლო 1940 საინტენდანტო სამსახურის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის — გენერლის წოდებები. 1955 საბჭ. არმიაში ი-ის თანამდებობა გაუქმდა. უცხოეთის არმიებში ი-ის ფუნქციებს უმეტესად საკვარტირმაისტერო, ადმ. და სხვ. სამსახურები ასრულებენ.

ინტენსაინი, კარბოქრომენი, ინტერკორდინი, გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების გამაფართოებელი პრეპარატი. ხანგრძლივად აფართოებს გვირგვინოვან სისხლძარღვებს, ხელს უწყობს კოლატერალური სისხლის მიმოქცევის განვითარებას (განსაკუთრებით ხანგრძლივად ხმარებისას), აუმჯობესებს გულის ჟანგბადით მომარაგებას. იყენებენ გულის გვირგვინოვანი სისხლძარღვების ქრონ. ნაკლოვანებების და სკლეროზის, სტენოკარდიის დროს, აგრეთვე გულის კუნთის ინფარქტის პროფილაქტიკისათვის და გულის კუნთის ინფარქტის გადატანის შემდგომ პერიოდში.

ინტენსიური (<ლათ. intensio—დაძაბულობა, გაძლიერება), 1. დაძაბული, გაძლიერებული. 2. უკეთესი შედეგის მომცემი, ნაყოფიერი, მაგ., ი. მიწათმოქმედება.

ინტენსიფიკაცია (ფრანგ. intensification<ლათ. intensio — დაძაბულობა, გაძლიერება და facio — ვაკეთებ), დაძაბულობის, რისიმე ნაყოფიერების, ქმედითობის გაძლიერება, გაზრდა.

ინტენსიფიკაცია წარმოებისა, საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პროცესი, რ-იც ემყარება ტექნიკური, მატერიალური და შრომითი რესურსების უფრო სრულ რაციონალურ გამოყენებას სამეცნ.-ტექ. პროგრესის ბაზაზე. წარმოების განვითარების ინტენს. გზა მკვეთრად განსხვავდება ექსტენსიურისაგან, რ-იც გულისხმობს წარმოების შემდგომ ზრდას წარმოების საშუალებებისა და მომუშავეთა რაოდენობრივი გადიდების გზით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ინტენსიფიკაციას ახასიათებენ, როგორც გაფართოებული კვლავწარმოების განსაკუთრებულ ფორმას, რ-ის თვისებრივი ნიშანია ახ. უფრო ეფექტური წარმოების საშუალებების გამოყენება. ი. წ. ყოველთვის საზ.-ეკონ. ფორმაციის ძირითადი ეკონ. კანონის რეალიზაციის საშუალებაა. კაპიტალიზმის დროს იგი ზედმეტი ღირებულების ზრდისა და მშრომელთა ექსპლუატაციის გაძლიერების საშუალებაა. სოციალ. ინტენსიფიკაციის სოც.-ეკონ. არსია წარმოების მოცულობის განუხრელი ზრდის საფუძველზე საზ-ბის მუდმივად მზარდი მატერ. და კულტ. მოთხოვნილებათა მაქს. დაკმაყოფილება.

პრაქტიკაში ჩვეულებრივ ერთდროულად იყენებენ კვლავწარმოების ინტენს. და ექსტენსიურ ფორმებს. მაგრამ სოციალ. წარმოების სრულყოფის კვალობაზე მათი თანაფარდობა იცვლება ინტენს. ფორმის სასარგებლოდ. წარმოების ინტენსიფიკაციის შედეგსა და სოც.-ეკონ. საზომს წარმოადგენს წარმოების ეფექტურობა. მისი მიღწევის ძირითადი საშუალებებია სახ. მეურნეობაში მეცნ.-ტექ. პროგრესის და მეცნ. ტექ. მიღწევათა დანერგილი დანერგვა და წარმოების მართვის სისტემისა და მეთოდების სისტემ. სრულყოფა.

წარმოების ინტენსიფიკაციას აქვს მრავალი კონკრ ფორმა, რ-ებიც დამოკიდებულია სახ. მეურნ. ცალკეული დარგების თავისებურებებზე. წარმოების ინტენსიფიკაციის ამ ფორმათა ეფექტურობა აისახება შრომის ნაყოფიერების ფონდუკუგების, მატერ. დანახარჯის უკუგების, რენტაბელურობისა და ფართობის ერთეულზე პროდუქციის ზრდაში, აგრეთვე შრომის პირობების გაუმჯობესებასა და თავისუფალი დროის გადიდებაში.

საზ. წარმოების ინტენსიფიკაცია და მისი ეფექტურობის ამაღლება კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნის უმთავრესი პირობა და ქვეყნის ეკონ. სტრატეგიის ძირითადი ხაზია როგორც უახლოეს წლებში, ისევე შორეულ პერსპექტივაში.

ინტერგლაციალი (<ლათ. inter — შორის და glacies — ყინული), გამყინვარებათშორისი ეპოქა, დროის მონაკვეთი ანთროპოგენური პერიოდისა, მყინვარულ ეპოქებს შორის. ამ დროს შედარებით თბილი ჰავა იყო და ზომიერ განედებში მყინვარული საფარი მთლიანად ქრებოდა.

ინტერდიქტი (ლათ. interdictum—აკრძალვა), ეკლესიის ზემოქმედებისა და

ასჯის ერთ-ერთი ფორმა კათოლიკურ კლესიაში. გამოიხატება პაპის (ზოგჯერ პისკოპოსის) მიერ ლვთისმსახურებისა და ელიგ. რიტუალის (ეკლესიისაგან განსაზღვეთლად) დროებითი აკრძალვით ამა ან იმ ტერიტორიაზე (ლოკალური ი.). ზოგჯერ ი-ით ისჯებოდა კერძო პიროვნეაც (პერსონალური ი.). ი-ს ფართოდ იყენებდნენ XI—XII სს-ში (XIII ს-იდან უფრო იშვიათად). იგი მეფეებსა და ფეოდალებზე ზემოქმედების, აგრეთვე მწვალელთა წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი საშუალება იყო. ახ. დროში დაკარგა ძალა. მნიშვნელობა, თუმცა შემორჩა ანონიკურ სამართალში.

ინტერესების ჰარმონიის თეორია, ბულგარული ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის ერთ-ერთი ძირითადი დოგმა, რ-იც ეიმუშავეს XIX ს. შუა წლებში საფრანგეთსა (ფ. ბასტია) და აშშ-ში (ჰ. კეი). ამ კონცეფციას იცავდნენ გერმანიაში (ო. დიურინგი, მ. ვირთი), რუსეთში (ნ. ბუნგე), აშშ-ში (ჰ. ჯორჯი, ჯ. კლარკი, ფ. უორკერი) და სხვ.

ჰარმონიის თეორიის იდეური სათავეა *სიმპათის* ვულგ. შეცდომები და ფრანგი ულგ. ეკონომისტის ჟ.-ბ. *სეის* „მომსახურების" კონცეფცია. ვულგ. დებულებაზე აყრდნობით ბასტიამ თავის „ეკონომიკურ ჰარმონიებში" (1840) შეეთხზა „შრომისა და კაპიტალის ინტერესების ჰარმონიის ეორია", რ-იც უარყოფს სოც. ანტაგონიზმს. იგი ქადაგებდა კლასთა შორის ინტერესების ჰარმონიას. მისი მთავარი თეზისია „ყველა ეკონომიკური ინტერესი ჰარმონიულია", ხოლო პოსტულატია ურთიერთმომსახურება ანუ მომსახურების ურთიერთგაცვლა საზ-ბის სხვადასხვა კლასს ორის.

ი. ბ. ი. მიმართულია ბურჟ. კლასიკური პოლიტეკონომიის შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ. იგი ღირებულების წყაროდ აცხადებს თანაფარდობას მომსახურებათა შორის. ბასტიას ვულგ.-ოლოგეტური კონცეფცია გააკრიტიკეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. კ. მარქსი ხელს „ჰარმონიების ზერელე, აპოლოგეტურ არსს" და დაასკვნის, რომ «უგვანობას ყველაზე კონცენტრირებულ ექსტრაქტს იცავს ბატონ ბასტიას „Harmonies économiques". მხოლოდ ფრანგ მეშჩანს თუ ეძლო ასეთი ჰარმონიული დომხალის ეთხზვა».

ბ. კერიმ „ინტერესების ჰარმონიებში" (1872) ჩამოაყალიბა ი. ბ. ი-ის საკუთარი — ამერ. ვარიანტი, რ-იც ერთგვარად ანსხვავდება ბასტიას კონცეფციისაგან. ანსხვავება განაპირობა აშშ-ის სოც.-ონ. განვითარების თავისებურებამ. კეის ამერ. ვარიანტში გამართლებულია ასპლუატაციის არამარტო კაპიტალ., არამედ კაპიტალიზმამდელი ფორმებიც.

ბურჟ. საზ-ბის ანტაგონიზმი, იმპერიალიზმის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის მწვავეება, საგაფიცვო მოძრაობის ზრდა, ოლეტარიატის რევ. ბრძოლის მასშტაბური ობა, სოციალ. რევოლუციები ი. ბ. ი-ის ახის დადასტურებაა. *გ. ჭანუყვაძე.*

ინტერესი (ლათ. interest — მნიშვნელობა აქვს, ღირებულია), ობიექტის (საგნ, მოვლენის, მოქმედების) აღქმისა და მეცნების სურვილი. ი-ს ინტელექტუალურ გრძნობათა კლასს აკუთვნებენ (იხ. *ბძნობა*). პიროვნების ი-ის შინაარსი ინიშვნელოვნდაა განპირობებული მისი �ic. წრის ი-ებით. ძლიერი და ღრმა ი. ირად პიროვნების მოქმედების მოტივაც განსაზღვრავს. ი-ს იხილავენ ძირითადად მიმართულების (ანუ შინაარსის), ცულობის, ინტენსივობისა და სიმტკიცის თვალსაზრისით. ი-თა შინაარსს წარადგენს ობიექტთა ის კატეგორია, ზედაც მიმართულია ი. მ ო ც უ ლ ო ბ ა ნსაზღვრავს ფართოა თუ ცალმხრივი როვნების ი-თა სფერო, ხოლო ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა — ძირითადად მოქმედების მოტივებს: დიდი ინტენსივობის ი-მა შეიძლება განაპირობოს უძლიერესი ნებისყოფა სათანადო მიზნის მისაღწევად; ს ი მ ტ კ ი ც ე ხშირად დაკავშირებულია ი-ის ინტენსივობასთან, მაგრამ არა აუცილებლად. გარკვეული ტემპერამენტის ადამიანს უძლიერესი ი. შეიძლება სწრაფად გაუქრეს, ზოგიერთს კი შედარებით სუსტი ინტენსივობის ი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში შერჩეს.

რ. ნათაძე.

ინტერესი ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი, ობიექტური ეკონომიკური კატეგორია და წარმოებით ურთიერთობათა გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რ-იც როგორც სოც. სუბიექტების მამოძრავებელი მოტივი, გამოხატავს საზ. წარმოების სისტემაში მუშაკთა მდგომარეობას, მათ მატერიალურ მოთხოვნილებებსა და სამეურნეო საქმიანობას შორის კავშირს.

ი-ის ცნებაში არსებითია ის, რომ მას საფუძვლად უდევს მატერ. მოთხოვნილებები და მასში აისახება თითოეული საზ-ბის სპეც. წარმოებითი ურთიერთობანი. „ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობანი უწინარეს ყოვლისა, ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს სახით ვლინდება" (ე ნ გ ე ლ ს ი ფ., იხ. მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., *რჩეული ნაწერები*, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 724), ამასთან, ი. ყოველთვის არის ინტერესთა სისტემა, რ-იც მოიცავს საზ-ბის, კლასების, ჯგუფების, ადამიანთა ინტერესებს მათ ურთიერთკავშირში. იგი საერთო ეკონ. კატეგორიაა, რ-იც დამახასიათებელია ყველა საზ.-ეკონ. ფორმაციისათვის.

სოციალიზმამდელ საზ.-ეკონ. ფორმაციებში წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება განაპირობებს ეკონ. ინტერესების ანტაგონისტურ წინააღმდეგობას. საზ. საკუთრებაზე დამყარებული სოციალ. წარმოების წესი სპობს ანტაგონიზმს ეკონ. ინტერესებს შორის. განვითარებული სოციალიზმის დროს ეკონ. ინტერესთა ყველა სახეობა, რ-ებიც ინტეგრირებულია როგორც საზ., კოლექტ. და პირადი ინტერესები (საზოგადოებრივის წამყვანი როლის პირობებში), ურთიერთგანპირობებულია და ქმნის დიალექტ. ერთიანობას, რაც მოითხოვს მათ აუცილებელ კომპლ. გამოყენებას, ეკონ. ინტერესებისადმი სისტემურ მიდგომას. ეკონ. ინტერესებისა და მასზე დაქვემდებარებული კატეგორიების აქტივიზაცია უზრუნველყოფს განვითარებული სოციალიზმის მთელი სამეურნეო მექანიზმის მაღალეფექტიან ფუნქციონირებას, რაც პარტიის ეკონ. პოლიტიკის განხორციელების გადამწყვეტი პირობაა.

ინტერვალი (ლათ. intervallum — მანძილი, შუალედი) მ უ ს ი კ ა ს ა დ ა ა კ უ ს ტ ი კ ა შ ი, ორი ბგერის თანაფარდობა სიმაღლის ანუ ბგერათა რხევის სიხშირის მიხედვით (იხ. *მუსიკალური ბგერა*). ი-ის დაბალი ბგერა მისი საფუძველია, ხოლო მაღალი — მწვერვალი. თანამიმდევრობით აღებული ბგერები ქმნიან მელოდიურ ი-ს, ხოლო ერთდროულად აღებული — ჰარმონიულს. ი. განისაზღვრება ტონებისა და ნახევარტონების რაოდენობით. ერთი ოქტავის ფარგლებში წარმოქმნილი ი. მარტივია, ერთ ოქტავაზე მეტი—შედგენილი. შედგენილი ი. წარმოიქმნება ოქტავაზე მარტივი ი-ის მიმატებით. უფრო ფართო ი-ებს ეწოდება: სეკუნდა ორი ოქტავის შემდეგ, ტერცია ორი ოქტავის შემდეგ და ა. შ. ჩამოთვლილ ი-ებს ძირითად ანუ დიატონურ ი-ებსაც უწოდებენ (იხ. *დიატონიკა*), ხოლო ალტერაციის მეშვეობით შეცვლილ ი-ებს — ქრომატულს. ჰარმონიული ი. იყოფა კონსონირებულ და დისონირებულ (იხ. *კონსონანსი* და *დისონანსი*) ი-ებად. ბგერათა გადანაცვლებას, რ-ის დროსაც ი-ის საფუძველი იქცევა მაღალ ბგერად, ხოლო მწვერვალი — დაბალ ბგერად, ეწოდება შებრუნება.

ინტერვალი და სეგმენტი, შ უ ა ლ ე დ ი დ ა მ ო ნ ა კ ვ ე თ ი, წერტილთა უმარტივესი სიმრავლეები წრფეზე. ინტერვალი შემოსაზღვრულია *a* და *b* წერტილებით (ინტერვალის ბოლოები) და შედგება წრფის ყველა წერტილისაგან, რ-ებიც მოთავსებულია *a* და *b*-ს შორის თვით *a* და *b* წერტილების გამოკლებით. სეგმენტი შედგება ამავე წერტილებისაგან *a* და *b* წერტილების ჩათვლით. ი. და ს-ს შესაბამისად (*a, b*) და [*a, b*] აღნიშნავენ.

ინტერვენცია (ლათ. interventio — ჩარევა), ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეში ან მის ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოსთან. ი. საერთაშ. *დელიქტია*, ხელყოფს სახელმწიფოთა სუვერენულ დამოუკიდებლობასა და თანასწორობას. ი-დ ითვლება სახელმწიფოს მიერ თავისი ინტერესების შესაბამისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თავსმოხვევა მეორე სახელმწიფოსათვის, ამ მიზნით დიპლ. დაწოლა, მტრული ეკონ. ღონისძიებების გატარება მის მიმართ, მის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი საქმიანობის, შეთქმულების, სახელმწ. გადატრიალების დაფინანსება ან მოწყობა, სამოქალაქო ომის პროვოცირება და ა. შ. ი-ს კრძალავს გაეროს წესდებაც (მ. 2, პ. 7).

ი-ის ყველაზე საშიში სახეა შეიარაღებული ი. (იხ. *აგრესია*), რასაც საერთაშ. სამართალი უმძიმეს საერთაშ. დელიქტად თვლის. აკრძალვის მიუხედავად, იმპერიალ. სახელმწიფოები ხშირად ერევიან სხვა ქვეყნების საქმეებში და შეიარაღებულ ი-საც მიმართავენ (აშშ-ის ი. ინდოჩინეთში და სხვ.). ამიტომ გაეროს გენ. ასამბლეამ 1965 მიიღო „დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ", რ-იც გმობს ყველა ფორმის ი-ს. სსრკ და სხვა სოციალ. ქვეყნები ყოველთვის გამოდიან ი-ის წინააღმდეგ და მისი მსხვერპლის დასაცავად. *გ. ყვანია.*

ინტერვიზია (ლათ. inter — შორის, ურთიერთ და visio — ხედვა), ტელეეთერის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1960 იანვ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საერთაშ. ორგანიზაციაში მონაწილე ქვეყნებს შორის პროგრამათა გასაცვლელად და გადაცემათა მოსამზადებლად. ი-ის რეზიდენცია პრაღაშია. წევრები არიან (1972) ბულგ., უნგრ., მოლდ. სსრ, პოლ., რუმინ., სსრკ, უკრ. სსრ, ბელორ. სსრ, ფინ., ჩეხოსლ., ესტ. სსრ, გდრ, ლატვ. სსრ, ლიტვ. სსრ ტელევიზიის ორგანიზაციები. ი-ის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე იუგოსლ. ტელეორგანიზაციები. 1961-იდან ი. რეგულარულად უცვლის პროგრამებს *ეროვიზიას*.

ინტერვიუ (ინგლ. interview), პუბლიცისტიკის ჟანრი, ჟურნალისტის საუბარი ერთ ან რამდენიმე პირთან აქტ. საზ. მნიშვნელობის საკითხებზე; საუბარს შემდეგ პრესაში გამოაქვეყნებენ ან რადიოთი და ტელევიზიით გადასცემენ.

ინტერვიუირება, იხ. *გამოკითხვის მეთოდები.*

ინტერიერი (ფრანგ. intérieur — შიგნითა, შიგა), 1. ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა შ ი, შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, სამრეწველო) ან სათავსის (ვესტიბიული, ფოიე, ოთახი, დარბაზი და სხვ.) შიგა სივრცე. ი-ის, როგორც გარემოს, ფუნქციური დანიშნულებაა შეესაბამებოდეს ადამიანის სასიცოცხლო საქმიანობის ამა თუ იმ პროცესს, ამით განისაზღვრება მისი არქიტ. გადაწყვეტა (აბსოლ. ზომები, ფორმა, პროპორციები, განათება, საფრდენების, კარ-სარკმელთა ღიობების, შვერილების, ნიშების, კედლის დანაწევრებათა განაწილება, მასშტაბური შეფარდება) და მისი მოწყობილობის ხასიათი (ავეჯი, აღჭურვილობა). ი. იქმნება შენობის დაგეგმარებითი და სივრცითი სტრუ-

ინტერვალი

ინტერვალის ტონური ერთეულები

მცირე
დიდი
წმინდა
გადიდებული
შემცირებული

მარტივი ინტერვალები

წმინდა პრიმა (0 ტონი)
მცირე სეკუნდა ($1/2$ ტონი)
დიდი სეკუნდა (1 ტონი)
მცირე ტერცია ($1^1/_2$ ტონი)
დიდი ტერცია (2 ტონი)
წმინდა კვარტა ($2^1/_2$ ტონი)
გადიდებული კვარტა (3 ტონი)
შემცირებული კვინტა (3 ტონი)
წმინდა კვინტა ($3^1/_2$ ტონი)
მცირე სექსტა (4 ტონი)
დიდი სექსტა ($4^1/_2$ ტონი)
მცირე სეპტიმა (5 ტონი)
დიდი სეპტიმა ($5^1/_2$ ტონი)
წმინდა ოქტავა (6 ტონი)

შედგენილი ინტერვალები

ნონა
დეციმა
უნდეციმა
დუოდეციმა
ტერცდეციმა
კვარტდეციმა
კვინტდეციმა (ორი ოქტავა)

ქტურისა და კონსტრ. საფუძვლის ურთიერთკავშირით. ზოგჯერ O-ის არქიტ. გადაწყვეტა ავტონ. ხასიათისაა, რადგან შეიძლება მისი შექმნა დამატებითი კონსტრ. ელემენტების გამოყენებით (შეკიდული ჭერი, ამაღლებული ფიცარნაგი, ტიხრები და სხვ.), რ-ებიც სახეს უცვლიან ნაგებობის ამა თუ იმ უჯრედს ან საერთოდ გარდაქმნიან მას. O-ის დასამშვენებლად არქიტექტურასთან მჭიდრო კავშირში იქმნება მონუმ. მოხატულობა, რელიეფები, ქანდაკებები, მოზაიკა, ვიტრაჟები. დანიშნულების მიხედვით ცალკეულ ნაწილებად (ზონებად) O-ის დანაწევრება (ნავები, ტრანსეპტი, საკურთხეველი; მაყურებელთა დარბაზის პარტერი, ამფითეატრი, სცენა) მეტწილად გათვალისწინებულია მისი არქიტ. კომპოზიციით და ხაზგასმულია სათანადოდ შერჩეული და განლაგებული მოწყობილობით.

O-ში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რაციონალურისა და ესთეტიკური გამომსახველობის ერთიანობას, მათ კავშირს გარემოსთან, განსხვავებული დანიშნულების სათავსების მკაცრად დიფერენცირებულ გადაწყვეტასა და ამავე დროს, ერთი და იმავე შენობის სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებას. 2. O. ფერწერაში — ჟანრი, რ-იც XVII ს-ში გავრცელებული იყო ჰოლანდ. და ფლამანდ. ფერწერაში.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 192-193.

ინტერიერი ცხოველისა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შინაგანი ორგანოებისა და ქსოვილების აგებულება, აგრეთვე ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობა, რაც დაკავშირებულია მათ პროდუქტიულობასა და სანაშენე თვისებებთან. ექსტერიერთან ერთად O. შეადგენს ცხოველის კონსტიტუციას. ინტერიერული გამოკვლევისას შეისწავლება ცხოველის შინაგანი ორგანოები და ქსოვილები (სარძევე ჯირკვლები, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, ღვიძლი, გული, ფილტვები, კუნთები, ჩონჩხი, კანი, სისხლი და სხვ.), სისხლის ჯგუფები, ნივთიერებათა ცვლა, უმაღლესი ნერვული მოქმედება და სხვ. გამოკვლევებით დადგენილია, რომ სხვადასხვა ტიპის კონსტიტუციისა და პროდ. მიმართულების სას.-სამ. ცხოველები ინტერიერული მაჩვენებლების მრავ. მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ინტერიერული მაჩვენებლების პროდუქტიულ მიმართულებასთან და ცხოველთა კონსტიტუციის ტიპებთან კავშირის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ პროდუქტიულობის ბიოლ. საფუძვლებს. არსებობს O-ის შესწავლის ანატ.-ჰისტოლ., ფიზიოლ., ბიოქიმ. მეთოდები. მეცხოველეობის პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ აგრეთვე „ფუნქციური სინჯის" მეთოდს (ცხენის გამოცდა სისწრაფესა და ტვირთმზიდობაში, ფურის განწველა და სხვ.). *გ. ჯორჯიკია.*

ინტერიორიზაცია (ფრანგ. interiorisation < ლათ. interior — შინაგანი), მოძრაობისა და გარეგან ობიექტებზე მანიპულაციით განხორციელებული აქტივობის გადაქცევა შინაგან აქტივობად კომპონენტების თანდათანობითი შეკვეცის გზით. ლ. *ვიგოტსკის* კულტ. ისტ.-თეორ. დებულების მიხედვით ფსიქიკის ყოველი ადამიანური ფორმა ყალიბდება ადამიანთა შორის გარეგანი სოც. ურთიერთობების O-ის გზით. ამ პრინციპს ამჟამად იყენებენ ბავშვის სხვადასხვა კონკრ. გონებრივი მოქმედების ექსპერ. შესწავლისას როგორც თეორ. მიზნით, ისე პედ. პრაქტიკაშიც. *უ-პაატეს* კონცეფციით O-ის პროცესი განხილულია ინტელექტის ონტოგენეტიური განვითარების სტადიების მიხედვით. ა. ვალონის კონცეფციით კი ფსიქ. განვითარება განხილულია როგორც მოქმედებიდან აზრზე გადასვლის პროცესი. აღსანიშნავია, რომ O. განიხილება არა როგორც გარეგანი მოქმედებების შეკვეცის პროცესი, არამედ როგორც ახ. ფსიქ. წარმონაქმნები, როგორც ცნობიერების შინაგანი პლანის ჩამოყალიბების მოვლენა.

ნ. ადამაშვილი.

ინტერკინეზი (ლათ. inter — შორის და ბერძნ. kinesis — მოძრაობა), უჯრედის სასიცოცხლო ციკლის სტადია ორ გაყოფას შორის. ტერმინი „O." მოძველებულია (იხ. *ინტერფაზა*).

ინტერლინგვა (ლათ. inter — შორის და lingua — ენა), დამხმარე საერთაშორისო ენა. შექმნა ჯუზეპე პეანომ 1903 ლათ. (გრამატიკა) და თანამედროვე ევრ. ენების (ლექსიკა) საფუძველზე.

ინტერლინგვისტიკა (ლათ. inter — შორის და *ლინგვისტიკა*), ენათმეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ხელოვნური საერთაშ. ენებისა და კოდების საკითხებს, აგრეთვე ინტერნაციონალიზმებს.

ინტერლუდია (გვიანდ. ლათ. interludium < inter — შორის და ludus — დაკვრა), 1. მცირე ზომის მუსიკალური პიესა, რ-იც სრულდება ნაწარმოების ორ ძირითად ნაწილს შორის — ოპერის ან დრამის აქტებს [უფრო ხშირად უწოდებენ *ინტერმედიას* (პირველი მნიშვნელობა) ან ინტერმეცოს], ქორალის სტროფებს ან საკრავიერი ციკლის ნაწილებს შორის (სონატები, სიუიტები). 2. დრამ. ნაწარმოების სახეობა, რ-იც განვითარდა ინგლისში შუა საუკ. დასასრულსა და აღორძინების ეპოქის დასაწყისში. თავდაპირველად — პატარა სცენური სანახაობა დღესასწაულის შუალედებში. იგივეა, რაც ინტერმედია.

ინტერმედია (ლათ. intermedius — შუალედური), 1. კომიკური ხასიათის მცირე მოცულობის პიესა ან სცენა (პანტომიმა, ცეკვა, მუს. ან საკრავიერო ნაწარმოები), რ-საც მსახიობები დრამ. სპექტაკლის მოქმედებებს შორის გაითამაშებენ. იდგმება დამოუკიდებლადაც, გასართობი საღამოების დასასრულს. O. შეიქმნა შუა საუკ. თეატრში, მისტერიის წარმოდგენებში. ფართოდ იყენებდნენ სასკოლო თეატრში, კომედია დელ' არტეში, მოლიერის თეატრში და სხვ. ესპანეთში O. პასოსის სახელწოდებით საჯარო თეატრის დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბდა და უმაღლეს მხატვრულ დონეს მიაღწია მ. სერვანტესის შემოქმედებაში. ინგლისში O-ს ინტერლიუდია ეწოდა. XIX—XX სს-ში O-ს წარმოადგენდნენ სიმღერითა და ცეკვით შევსებული პატარ-პატარა სცენების სახით (მაგ., მოსკ. ვახტანგოვის სახ. თეატრის სპექტაკლი — კ. გოცის „პრინცესა ტურანდოტი"). O. გვხვდებოდა აგრეთვე როგორც ჩართული ნომერი ან სცენა ოპერისა და ბალეტის მოქმედებებს შორის. XV ს-იდან O. დამკვიდრდა იტალ., უფრო მოგვიანებით — ინგლ., საფრ. და სხვ. მუს. თეატრებში. XVII—XVIII სს-ში იტალიაში O. დამოუკიდებელ პატარა ოპერად გადაიქცა. პერგოლეზის ოპერა „მოახლე-ქალბატონი", რ-მაც საფუძველი ჩაუყარა იტალ. კომ. ოპერას და უდიდესი გავლენა მოახდინა ფრანგული კომ. ოპერის განვითარებაზე, თავდაპირველად ამავე ავტორის ოპერის „ამაყი ტყვის" O. იყო (1733). 2. შუალედური ეპიზოდები *ფუგის* სხვადასხვა თემას შორის.

ინტერმეზინი, მელანოტროპინი, ჰიპოფიზის შუა წილის ჰორმონი; იგივეა, რაც *მელანოციტომასტიმულირებელი ჰორმონი.*

ინტერმეცო (იტალ. intermezzo, <ლათ. intermedius — შუალედური), 1. საკრავიერი პიესა, რ-საც შუალედური მდგომარეობა უჭირავს ციკლური ნაწარმოების ორ მნიშვნელოვან ნაწილს (რ. შუმანი, კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის) ან ერთნაწილიანი კომპოზიციის ძირითად მონაკვეთებს შორის (რ. შუმანი, სკერცო საფორტეპიანო სონატიდან, თხზ. 11). 2. თავისუფალი აგებულების დამოუკიდებელი „სახასიათო" საკრავიერი პიესა (რ. შუმანი, O. ფორტეპიანოსათვის, თხზ. 5; ი. ბრამსისა და მ. რეგერის პიესები და სხვ.). 3. იგივეა რაც *ინტერმედია* (I მნიშვნელობა).

„ინტერნაციონალი" (ფრანგ. L'Internationale, ლათ. inter — შორის და natio — ერი, ხალხი), საერთაშორისო პროლეტარული ჰიმნი, სკკპ-ისა და სხვა კომუნისტურ პარტიათა ჰიმნი. ტექსტი ეკუთვნის ე. პოტიეს (1871, გამოქვეყნდა 1887), მუსიკა — პ. დეგეიტერს პრველად 18[illegible] შეასრულა ქ. ლილის მუშაობა გუნდმა. „[illegible]ის" პირველი თარგმანები B90 განეკუთვ[illegible]ნება. მისი მისამღერის ტექსტი რუს. ენ[illegible]ზე გამოქვეყნდა ლენინური „ისკრის" პ[illegible]ველ ნომერში (1900, დეკ.) „O-ის" საგ[illegible] ქველთაოდ ცნობილი რუს. ტექსტის ავტ[illegible]რია ა. კოცი [1902, დაიბეჭდა რუს. ჟურ[illegible]ნალ „ჟიზნში" (ლონდონიჟენევა, 190[illegible] № 15)].

რსდმპ IV ყრილობის უმდეგ (1906[illegible] „O." რუს. რევ. ს.-დ. პარტიულ ჰ[illegible]ნად იქცა. სრულიად რუს. საბჭოებ[illegible] III ყრილობის გახსნისას, 1'18 წ. 10 (23[illegible] იანვ. „O." შესრულდა როგორც რესპ. ს[illegible]ხელმწ. ჰიმნი. 1944 სსრკ-ის ახ. სახელმწ[illegible] ჰიმნის დამტკიცებასთან დაკავშირებ[illegible] სკპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა დადგინა, რომ „O[illegible] დარჩენილიყო კომუნისტური პარტიის ჰ[illegible]ნად. „O-ის" რუს. რედაქცია დაედო საფ[illegible]ძვლად მის თარგმანს სსრ-ისა და სა[illegible]ღვარგარეთის ქვეყნების ენებზე. საქართ[illegible]ველოში ითარგმნა 1905 (. წერეთელ[illegible] ი. ევდოშვილი).

1923 დამტკიცდა „O-ის" საყოველთაო[illegible]მუს. რედაქცია (დ. ვასილიევ-ბუგლაი, [illegible] გედიკე, ლ. შულგინი და სხ.). 1937 „O.[illegible] სიმფ. ორკესტრისათვის ალაამუშავა [illegible] შოსტაკოვიჩმა.

ტექსტი: „ინტერნაციონალი" (საბჭოთა კ[illegible] შორის ხალხთა ენებზე), შემდ. მ. იაშვილ[illegible] თბ., 1977; Потье Э., «Интернационал[illegible] М., 1939.

ლიტ.: Ленин В. И. Евгений По[illegible]тье, Полн. собр. соч., 5 изд., [illegible]. 22; Дре[illegible]ден С., Музыка — революции, 2 изд[illegible] М., 1970; Зэвазс А., «Интернационал[illegible] и его авторы, «Советская музыка», 193[illegible] № 2.

ინტერნაციონალი I, მუშათა საერთაშორისო ასოციაციები (1864—76), პროლეტარიატის პირველ[illegible] მასობრივი საერთაშორისო ორგანიზაცია[illegible] რ-ის დამაარსებელნი და ხელმძღვანელ[illegible] იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. O. [illegible] იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ევროპ. კომუნ[illegible]ზმის ფუძემდებელთა მიერ როლეტ. პა[illegible]ტიის შექმნისათვის ბრძოლში, რაც მა[illegible] დაიწყეს *კომუნისტთა კავშირის* შექმნი[illegible]

O. I დაარსდა 1864 წ. 28 სექტ. ლონ[illegible] დონში, ინგლ. და ფრანგი მუშების მიე[illegible] მოწვეულ საერთაშ. მუშათა კრებაზე. კრება[illegible]ში მონაწილეობდნენ აგრეთვე პოლ., იტალ[illegible] ირლ. და გერმ. მუშების წარმომადგენლებ[illegible] მ. შ. კ. მარქსი, რ-იც შეიყვანეს ხელმძღ[illegible]ვანელ კომიტეტში (შემდეგში ეწოდ[illegible] გენ. საბჭო) და ამ კომიტეტის წევრთაგ[illegible] შექმნილ უფრო ვიწრო მუდმივ კომიტეტშ[illegible] მარქსი ფაქტობრივად სათვეში ჩაუდგ[illegible] O. I-ს და ბოლო მოუღო ბურჟ. ელემენტებ[illegible] (ჯ. მაძინი და სხვ.) ცდას ეხელმძღვანელა[illegible] მუშათა მოძრაობისათვის. 184 წ. 1 ნოემ[illegible] გენ. საბჭომ დაამტკიცა მარქსის მიერ შ[illegible] მუშავებული მუშათა საერთაშ. ასოსაგ[illegible]ბის დამფუძნებელი მანიფესტი და წესდ[illegible]ება. ამ უმნიშვნელოვანეს საპროგრამო დ[illegible] კუმენტებში ჩამოყალიბებული იყო პრ[illegible]ლეტ. მოძრაობის მიზნები: კაპიტალ[illegible] მის დამხობა და მუშათა კლასის ძალაუფ[illegible]ლების დამყარება. აღიარებული იყო პრ[illegible]ლეტ. ბრძოლის უმთავრეს პრინციპი[illegible] „მუშათა კლასის განთავისუფლება მოთ[illegible]ვებული უნდა იქნას მუშათა კლასის მიერ[illegible] ევრ. მუშათა კლასის დაქსაქული ძალები[illegible] კონსოლიდაციისათვის პროგრამა ითვალ[illegible]სწინებდა ინგლ. ტრედუნიონებთან, საფრ.



ინდოეთი, ეკონომიკური რუკა


Al
Fe
Mn
Cr
V
Cu
Mg
ბომბეი
მადრასი
ბანგალორი
ბანგალორი
ბანგალორ

ელგ., იტალ. და ესპ. პრუდონისტებთან
ა გერმ. ლასალიანელებთან თანამშრომ-
ობას, საერთაშ. პროლეტ. ერთობლივ მო-
ქმედებას, კლასობრივ ბრძოლებში ერთთა-
ლივ მონაწილეობას, გამოცდილების ურ-
იერთგაზიარებას და სხვ. O. I-ის
ლმძღვანელობა დაეკისრა გენ. საბჭოს,
-საც ყოველწლიურად ირჩევდა საერთო
ონგრესი (1872-მდე გენ. საბჭო ლონდონ-
ი იყო, შემდეგ — ნიუ-იორკში). ყოველ
ეყანაში O. I ემყარებოდა უკვე არსებულ
ეშათა ორგანიზაციებს ან ახალშექმნილ
I-ის სექციებს. 1870 სექტ. გენ. საბჭოში
ეიყვანეს ფ. ენგელსი, რ-იც მანჩესტერი-
ან ლონდონში გადავიდა. მარქსმა და
გელსმა თავიანთ გარშემო დარაზმეს
ვადასხვა ქვეყნის მოწინავე მუშები და
ეშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვა-
ეები, რ-ებიც თანდათან დადგნენ მეცნ.
ომუნიზმის პოზიციებზე.

1865 წ. 25—29 სექტ. O. I-ის ლონდო-
ს კონფერენციაზე ბელგ. და ფრანგი
უდონისტების წინააღმდეგობის მიუხე-
ვად მარქსმა შეძლო მომავალი კონგრე-
ს დღის წესრიგში შეეტანა დემოკრ. სა-
ისებზე პოლონეთის აღდგენის საკითხი.

პ ი რ ვ ე ლ ი კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა
66 წ. 3—8 სექტ. ჟენევაში. მარქსი არ
წრებოდა კონგრესს, მაგრამ შეიმუშავა
ზოლუციის პროექტი, რ-იც საფუძვლად
ედო კონგრესის გადაწყვეტილებებს კა-
ნმდებლობით ყველა მუშისათვის 8-სა-
ათიანი სამუშაო დღის, ქალისა და ბავ-
ის შრომის დაცვის, სავალდებულო პო-
ტექნიკური განათლების, მუდმივი არ-
ების გაუქმებისა და სხვ. შესახებ. განს-
კუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რე-
ოლუციას პროფკავშირების შესახებ, რ-იც
ბართული იყო პრუდონისტების, გერმ.
ასალიანელების და ინგლ. ტრედუნიო-
ბის რეფორმისტი ლიდერების წინააღმ-
გ. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო
ოლეტარიატის ეკონ. და პოლიტ. ბრძო-
ის ურთიერთკავშირის აუცილებლობა,
ნგრესმა დაამტკიცა O. I-ის წესდება.

მ ე ო რ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1867
2—8 სექტ. ლოზანაში. მონაწილეთა
აშვნელოვანმა ნაწილმა მხარი დაუჭირა
წაზე კოლექტ. საკუთრებას და მოითხო-
შემდეგი კონგრესის დღის წესრიგში
რ. საკითხის შეტანა. მიიღეს აგრეთვე
ზოლუცია, სადაც პოლიტ. თავისუფლე-
ბი აღიარებულ იქნა პროლეტ. სოც. გან-
ვისუფლების აუცილებელ პირობად. და-
ვა ირლანდიის ეროვნ.-განმათ. მოძრა-
ისათვის მხარდაჭერის საკითხი.

მ ე ს ა მ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა
68 წ. 6—13 სექტ. ბრიუსელში. კონგრე-
ს მომზადებასა და მუშაობაში უშუალო
ნაწილეობა მიიღო კ. მარქსმა. დიდი
ნშვნელობა ჰქონდა რეზოლუციას მიწის,
ინიგზის, მაღაროების განსაზოგადოე-
ა შესახებ. მიღებულ იქნა მარქსის მიერ
ორმულირებული რეზოლუცია, რ-იც აღი-
ებდა, რომ წარმოებაში მანქანების და-
რგვას თან სდევს შრომის კოლექტ. ორ-
ანიზაცია, რაც ქმნის წარმოების სოციალ.
ატემაზე გადასვლის წინაპირობებს. კონ-
ესმა ურჩია ყველა ეროვნების მუშებს,
ესწავლათ 1867 გაზაფხულზე გამოსუ-
ი მარქსის შრომა „კაპიტალი".

კონგრესის შემდეგ გაიშალა ბრძოლა
ბაკუნინის ანარქისტულ-სინდიკალისტური
ეფედულებების წინააღმდეგ. გაძლიერდა
ლკეულ ქვეყნებში დამოუკიდებელი მუ-
ეთა პარტიების შექმნის ტენდენცია, რაც
I-ის პროგრამით იყო გათვალისწინე-
ული. 1869 აგვ. აიზენახში შეიქმნა გერმ.
დ. მუშათა პარტია.

მ ე ო თ ხ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა
69 წ. 6—11 სექტ. ბაზელში. აქ მემარჯ-
ე პრუდონისტებმა საბოლოო მარცხი
ბიცადეს. კონგრესმა დაადასტურა ბრი-
ელში მიღებული გადაწყვეტილება მი-
ების განსაზოგადოების, მასზე კოლექტ.
ეკუთრების დაწესების შესახებ, რამაც
გადამწყვეტი როლი ითამაშა O. I-ის აგრ.
პროგრამის განსაზღვრაში. მას საფუძ-
ვლად ედო მუშათა კლასისა და გლეხობის
კავშირის მარქსისტული პრინციპი. პრუ-
დონისტები დამარცხდნენ პროფკავშირე-
ბის საკითხშიც. კონგრესზე პროლეტ. რევ.
და პროლეტ. დიქტატურის საკითხში თავი
იჩინა წინაალმდეგობამ მარქსისა და
ბაკუნინის მომხრეებს შორის. ბაკუნიზ-
მის წინააღმდეგ ბრძოლაში მარქსსა და
ენგელსს დახმარებას უწევდა ჟენევაში
შექმნილი O. I-ის რუს. სექცია. საფრ-
-პრუსიის ომის (1870—71) დროს ისტორია-
ში პირველად გაიშალა სხვადასხვა ქვეყ-
ნის მუშათა ომის საწინააღმდეგო ფართო
მოძრაობა. ბურჟ. შოვინიზმს დაუპირის-
პირდა მუშათა კლასის ინტერნაც. ერთია-
ნობა. მარქსი დიდ ყურადღებას უთმობდა
პარიზის კომუნას. O. I-ის სხვადასხვა
ეროვნების წევრებმა უშუალო მონაწი-
ლეობა მიიღეს კომუნის ამბებში. გენ.
საბჭოს დავალებით მარქსმა დაწერა მო-
წოდება O-ის წევრებისადმი—„სამოქალაქო
ომი საფრანგეთში", რ-შიც მასებს უჩვენა
კომუნის, როგორც ისტორიაში პროლეტა-
რიატის დიქტატურის პირველი ცდის, მსო-
ფლიო ისტ. მნიშვნელობა.

მ ე ხ უ თ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა
1872 წ. 2—7 სექტ. ჰაგაში მარქსისა და
ენგელსის უშუალო მონაწილეობით. ბაკუ-
ნისტებმა კონგრესზე მარცხი განიცადეს.
ბაკუნინი და მისი მომხრე ჯ. გილიომი გაი-
რიცხნენ O. I-იდან. კონგრესმა გაითვალის-
წინა ევროპაში რეაქციის მომძლავრება,
პოლიტ. ტერორის ზრდა, ინგლ. რეფორ-
მისტებისა და ბლანკისტი სექტანტების
მიერ გენ. საბჭოს ხელმძღვანელობის ხელ-
ში ჩაგდების საფრთხე, ამიტომ მარქსისა
და ენგელსის მოთხოვნით, გენ. საბჭო ნიუ-
იორკში გადაიტანეს. მარქსი და ენგელსი
ევროპაში დარჩნენ როგორც გენ. საბჭოს
რწმუნებულები. ჰაგის კონგრესზე აღი-
ნიშნა მარქსიზმის იდეური გამარჯვება.
O. I-მა ისტ. ამოცანა შეასრულა — მარქ-
სიმზის იდეები დაიყვანა ეკონომიკურად
განვითარებული ქვეყნების მოწინავე მუ-
შებამდე. პარიზის კომუნის შემდეგ შექ-
მნილ ახ. ისტ. ვითარებაში მუშათა მოძ-
რაობის წინაშე დაისვა უშუალო ამოცანა:
„...ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოთა-
ბაზაზე მ ა ს ო ბ რ ი ვ ი სოციალისტური
პარტიების შექმნა..." (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი.,
თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21, გვ. 43). 1876
ფილადელფიის კონფერენციის გადაწყვეტ-
ილებით, O. I. დაითხოვეს. O. I იყო XX
ს-ში მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ
აღმოცენებული კომპარტიების წინამორბე-
დი. მისი მნიშვნელობა უდიდესია. „ის და-
უვიწყარია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ის
მარადიულია თავისი განთავისუფლებისა-
თვის მუშათა ბრძოლის ისტორიაში. მან
საძირკველი ჩაუყარა მსოფლიო სოციალის-
ტური რესპუბლიკის იმ შენობას, რომლის
აშენების ბედნიერება ახლა ჩვენ წილად
ვეხვდა" (იქვე, ტ. 29, გვ. 274).

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კარლ მარქსი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მ ი ს ი ვ ე, მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში, იქვე, ტ. 29; М а р к с К. и Э н г е л ь с Ф., Соч., 2 изд., т. 16—18; 31—33; I Интернационал и Парижская Коммуна. Указатель литературы, вышедшей в СССР. 1917—1970, М., 1971.

გ. კიღურაძე.

ინტერნაციონალი II, მუშათა პარტიე-
ბის საერთაშორისო გაერთიანება, დაარს-
და 1889. მისი შექმნა განაპირობა მუშათა
მოძრაობის აღმავლობამ, რ-იც XIX ს.
70-იან წლებში დაწყებულ მონოპოლისტურ-
რამდელი კაპიტალიზმის იმპერიალიზმში
გადაზრდის პროცესთან იყო დაკავშირე-
ბული, აგრეთვე ევრ. და ამერ. მთელ რიგ
ქვეყნებში I ინტერნაციონალის მიერ მომ-
ზადებულ ნიადაგზე მუშათა კლასის პო-
ლიტ. პარტიების შექმნამ, მარქსისტული
იდეების ფართოდ გავრცელებამ. 80-იან
წლებში, გარდა ადრე არსებული სოციალ.
პარტიებისა, მუშათა პარტიები ჩამოყა-
ლიბდა ბელგიაში, შვეიცარიაში, ესპანე-
თში, იტალიაში, შვეციაში, ნორვეგიაში
და სხვ. რუსეთში შეიქმნა მარქსისტული
„შრომის განთავისუფლების" ჯგუფი და
მარქსისტული წრეები.

ახ. სოციალ. გაერთიანების შექმნაში
განსაკუთრებული როლი ფ. ენგელსმა
შეასრულა. იგი დაუღალავად იღვწოდა
იმისათვის, რომ ახ. საერთაშ. სოციალ.
კონგრესის მოწვევის ინიციატორები მარქ-
სისტები ყოფილიყვნენ, რომ ეს ორგანი-
ზაცია მარქსისტული პრინციპებისათვის
დაექვემდებარებინა; დაეძლია ოპორტუ-
ნისტულ-რეფორმისტული მიმდინარეობანი
(ფრანგ. პოსიბილისტები, ინგლ. ს.-დ. ფე-
დერაციის ოპორტუნისტული ფრთა) და
ანარქისტები, რ-ებიც ცდილობდნენ II
ინტერნაციონალის დამფუძნებელთა რო-
ლში გამოსულიყვნენ. ენგელსმა აქტ.
მონაწილეობა მიიღო II ინტერნაციონა-
ლის I და II კონგრესების (1889 და 1891)
მომზადებაში, პირადად ესწრებოდა III კო-
ნგრესს (1893).

პ ი რ ვ ე ლ ი კ ო ნ გ რ ე ს ი (ფაქ-
ტობრივად დამფუძნებელი) 1889 წ. 14—
21 ივლ. მოიწვიეს მარქსისტებმა პარიზში.
კონგრესმა მუშათა მოძრაობის საბოლოო
მიზნად დასახა სოციალიზმი და განსაზღვ-
რა მისი უახლოესი ამოცანებიც: 8-საათიან
სამუშაო დღე, ბავშვებისა და ქალების
სამუშაო პირობების გაუმჯობესება და
სხვ. მარქსისტების გავლენით კონგრესმა
მიიღო გადაწყვეტილება, რომ პროლეტარი-
ატის მიერ ძალაუფლების მოსაპოვებლად
პროფკავშირებისა და სხვ. ორგანიზაციე-
ბის გარდა საჭირო იყო ძლიერი სოციალ.
პარტიის შექმნა. ანარქისტების საწინა-
აღმდეგოდ, რ-ებიც კატეგორიულად უარ-
ყოფდენ სოციალისტების ყოველგვარ სა-
პარლამენტო მოღვაწეობას, კონგრესმა
მიიღო მარქსისტთა წინადადება ბურჟ.
სახელმწიფოს პირობებში რეფორმებისა-
თვის საპარლამენტო და პარლამენტგარეშე
ბრძოლის აუცილებლობის შესახებ.

მ ე ო რ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1891
წ. 16—22 აგვ. ბრიუსელში. მილიტარიზმ-
თან მუშათა კლასის დამოუკიდებლობის
საკითხში კონგრესმა მიიღო კ. ლიბკნეხ-
ტის რეზოლუცია, რ-შიც აღნიშნული იყო,
რომ ომები კაპიტალ. სისტემის გარდაუ-
ვალი შედეგია, რომ მხოლოდ სოციალ.
სახ-ბას შეუძლია ბოლო მოუღოს მილი-
ტარიზმს და ხალხს მშვიდობა მოუტანოს.
კონგრესმა დაადასტურა ეკონ. და პოლიტ.
ბრძოლის შერწყმის, მუშათა კანონმდებ-
ლობისათვის ბრძოლის გაფართოების აუ-
ცილებლობა.

მ ე ს ა მ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა
1893 წ. 6—12 დეკ. ციურიხში. კონგრესმა
გადაჭრით დაგმო ანარქისტების ტაქტიკა.
კონგრესის მუშაობაში უშუალოდ მონაწი-
ლე ფ. ენგელსმა ნათელყო მათი ღეზორგა-
ნიზაციული საქმიანობა. კონგრესმა გა-

I ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესის დელეგატები (1869).

დაწყვიტა, რომ O. II-ის რიგებში შეიძლება მხოლოდ ის მუშათა პარტიები ყოფილიყვნენ, რ-ებიც აღიარებდნენ პოლიტ. ბრძოლის აუცილებლობას. კონგრესის მთავარი საკითხი იყო ს.-დ. პოლიტ. ტაქტიკის საკითხი. კონგრესმა სოციალ. პარტიებს წინადადება მისცა პარლამენტში არ მიეცათ ხმა სამხ. კრედიტებისათვის. O. II-ის საქმიანობას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1895 აგვ.) ფ. ენგელსი წარმართავდა. ენგელსმა შეიმუშავა მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის პროგრამა და ტაქტიკა. მკაცრად ამხილა ოპორტუნისტები და „მემარცხენე" ნახევრად ანარქისტული ელემენტები მუშათა მოძრაობაში.

მ ე ო თ ხ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1896 წ. 27 ივლ. — 1 აგვ. ლონდონში. კონგრესმა O. II-ის რიგებიდან გარიცხა ანარქისტები, დაადასტურა წინა კონგრესების გადაწყვეტილებანი მუშათა კლასის პოლიტ. ბრძოლის შესახებ და რეკომენდაცია მისცა პოლიტ. ძალაუფლების მოსაპოვებლად ორგანიზებული ბრძოლის ყველა ფორმის გამოყენებას. რეზოლუციაში არ იყო ლაპარაკი პროლეტარიატის მიერ ბურჟ. ხელისუფლების რევ. გზით დამხობის, ბურჟ. სახელმწ. აპარატის აუცილებელი დამსხვრევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ. ეს იყო რეზოლუციის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი. კონგრესმა დაგმო კოლონ. პოლიტიკა, აღიარა ერთა თვითგამორკვევის უფლება, კვლავ დაადასტურა ომის შესახებ წინა კონგრესის მიერ მიღებული ანტიმილიტარისტული გადაწყვეტილებანი. აგრ. საკითხზე რაიმე ქმედითი რეზოლუცია არ მიუღიათ, რაშიც გამოვლინდა დას. წამყვანი სოციალ. პარტიების მიერ აგრ. საკითხის შეუფასებლობა. ლონდონის კონგრესით დამთავრდა O. II-ის მოღვაწეობის I პერიოდი, რ-ის ძირითადი შედეგი იყო მუშათა მოძრაობაში მარქსიზმის ჰეგემონიის დამკვიდრება. O. II-მ ხელი შეუწყო ახ. სოციალ. მუშათა პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნის პროცესს. მუშათა მოძრაობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგში „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" დაარსება (1895). ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის გაბატონებული მდგომარეობა რევიზიონიზმმა დაიკავა, მისი მთავარი იდეოლოგი ე. *ბერნშტაინი* იყო, რ-ის შეხედულებათა წინააღმდეგ გამოვიდა ა. *ბებელი*. რევიზიონიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ გ. *პლეხანოვი*, ფ. მერინგი, პ. ლაფარგი, რ. ლუქსემბურგი და სხვ., მაგრამ მხოლოდ ვ. ი. ლენინმა ამხილა ბოლომდე *ბერნშტაინელობა*. რევ. მარქსიზმისა და მსოფლიო რევ. მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადაინაცვლა და მეჩიდროდ დაუკავშირდა ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას. დიდი ბრძოლა გაჩაღდა აგრეთვე მუშათა მოძრაობაში სექტანტურ-ანარქისტული ტენდენციების დასაძლევად.

მ ე ხ უ თ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1900 წ. 23—27 სექტ. პარიზში. აქ თავი იჩინა იმ ბრძოლამ, რ-იც საერთაშ. მუშათა მოძრაობაში რევ. და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის იყო. მწვავე კამათის ობიექტად იქცა ე. წ. მილიერანის საქმე (იხ. *მილიერანიზმი*). იგი ეხებოდა მუშათა კლასის მიერ პოლიტ. ძალაუფლების დაპყრობას და ბურჟ. პარტიებთან კავშირს. ამ საკითხზე პროექტები წარადგინეს კ. კაუცკიმ (ფაქტობრივად ამართლებდა მილიერანის საქმიანობას) და ჟ. გედმა (გადაჭრით გმობდა მილიერანის პოზიციას). კონგრესის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კაუცკის „კაუჩუკურ" რეზოლუციას, რ-იც შესაძლებლობას აძლევდა ოპორტუნისტებს არა მარტო გაამართლებინათ მილიერანი, არამედ გაეტარებინათ „მინისტერიალიზმის" პოლიტიკა. კონგრესზე შეიქმნა საერთაშორისო სოციალისტური ბიურო.

მ ე ე ქ ვ ს ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1904 წ. 14—20 აგვ. ამსტერდამში. ესწრებოდნენ ყველა კონტინენტის სოციალ. პარტიების დელეგატები, მ. შ. რსდმპ-ისა. კონგრესმა დაგმო რუს.-იაპ. ომი (1904—05), როგორც ორმხრივ დამპყრობლური, განიხილა სოციალ. ტაქტიკის საერთაშ. წესები, პარტიის ერთიანობის, საყოველთაო გაფიცვის, კოლონ. პოლიტიკის და სხვ. საკითხები, დაგმო რევიზიონიზმი და „მინისტერიალიზმი" (ჟ. გედის მოხსენების საფუძველზე), აღიარა ყველა ქვეყნის სოციალისტთა ერთიანობის აუცილებლობა. კოლონ. პოლიტიკის შეფასებაში დაშვებულ იქნა პრინციპული შეცდომები. რეზოლუციაში აღარ იყო ლაპარაკი „ეროვნული თვითგამორკვევის" შესახებ, სოციალისტებს წინადადება მიეცათ მოეთხოვათ კოლონიების მოსახლეობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა ეთი განვითარების დონის შესაბამისად. მუშათა ბრძოლის „უკიდურეს საშუალებად" აღიარეს მასობრივი გაფიცვა და არა შეიარაღებული აჯანყება. 1905—07 ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციამ რუსეთში ბიძგი მისცა მუშათა რევ. მოძრაობის საყოველთაო ზრდას მთელ მსოფლიოში, ხელი შეუწყო რევ. მარქსიზმის წარმატებას ოპორტუნიზმთან და რევიზიონიზმთან ბრძოლაში. VI კონგრესზე გამოიკვეთა სამი მიმდინარეობა: მემარჯვენე ფრთა — აშკარა ოპორტუნისტები (ე. ბერნშტაინი, ჰ. ჰაინდმანი, ლ. ბისოლატი და სხვ.), ცენტრიზმი (კ. კაუცკი, ჯ. რ. მაკდონალდი, ა. თომა, ე. ვანდერველდე, ო. ბაური და სხვ.) და მემარცხენე ფრთა (ბოლშევიკები ვ. ი. ლენინის მეთაურობით და დას. ევროპის ს.-დ. პარტიათა მემარცხენე მოღვაწენი: ფ. მერინგი, რ. ლუქსემბურგი, კ. ლიბკნეხტი, დ. ბლაგოევი, ვ. კოლაროვი და სხვ.).

მ ე შ ვ ი დ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1907 წ. 18—24 აგვ. შტუტგარტში. კონგრესს პირადად ესწრებოდა ვ. ი. ლენინი. კონგრესზე მიღებული რეზოლუციის თანახმად, ომის შემთხვევაში სოციალისტები ვალდებული იყვნენ გამოეყენებინათ ომით გამოწვეული ეკონ. და პოლიტ. კრიზისი კაპიტალის ბატონობის დამხობის დასაჩქარებლად. მემარცხენეებმა მიაღწიეს იმას, რომ კონგრესმა არსებითად დაგმო კაპიტალ. ქვეყნების კოლონ. პოლიტიკა, „შრომასა და კაპიტალს შორის ჰარმონიის", „პროფკავშირების ნეიტრალიზაციის" ოპორტუნისტული თეზისები; აღიარა პროფკავშირებისა და პარტიის შეთანხმებული საქმიანობის აუცილებლობა.

მ ე რ ვ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1910 წ. 28 აგვ. — 3 სექტ. კოპენჰაგენში. იგი მიესალმა აზიის ხალხების ეროვნ.-განმათ. ბრძოლას, არსებითად დაადასტურა წინა კონგრესების მიერ მიღებული მარქსისტული, მაგრამ არა ყოველთვის თანამიმდევრული გადაწყვეტილებანი მილიტარიზმთან ბრძოლის, პროფკავშირთა ერთიანობის შესახებ და სხვ. ვ. ი. ლენინმა მემარცხენეების მხარდაჭერით შეძლო გაეტარებინა რეზოლუციის პროექტი, რ-ითაც დარტყმა მიაყენა კოოპერატივების „ნეიტრალიტეტის" თეორიას და როგორც ბურჟ. საზბაში არსებული „სოციალისტური უჯრედების" რეფორმისტულ განმარტებას.

მ ე ცხ რ ე კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა 1912 წ. 24—25 ნოემბ. ბაზელში. კონგრესის მიერ მიღებულ ბაზელის მანიფესტში კონგრესის მონაწილე ყველა სოციალ. პარტიის დელეგატი მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას და სოლიდარულ მოქმედებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მოახლოებული იმპერიალ. ომის წინააღმდეგ ბრძოლაში O. II-მ (1912 ბოლოსათვის იგი აერთიანებდა 23 ქვეყნის 27 სოციალ. პარტიის 3787 ათ. წევრს, დაახლ. 11 მლნ. წევრს ითვლიდნენ სოციალ. პარტიების მომხრე პროფკავშირები, 7 მლნ. ასევე მათი მომხრე კოოპერატივები) დიდი წარმატებ[illegible] მოიპოვა, თუმცა სოციალ. პარტიების ლ[illegible]დერები არაფერს აკეთებდნენ კონგრეს[illegible] ომის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებათ[illegible]ცხოვრებაში გასატარებლად. [illegible] მსოფლი[illegible] ომის (1914—18) დაწყებისას მ.თ აშკარა[illegible] უღალატეს სოციალ. და პროლეტ. ინტერ[illegible]ნაციონალიზმის საქმეს, დაადგნენ სოციალ[illegible] შოვინიზმის გზას და გადაბარგდნენ ი[illegible] პერიალ. ბურჟუაზიის ბანაკში, რაც [illegible] II-ის კრახს მოასწავებდა. ომის დასაწყის[illegible] შივე შეწყვიტა მოღვაწეობა O. II-ის საერ[illegible]თაშ. სოციალ. ბიურომ, შეწყდა კავშირ[illegible] ს.-დ. და სოციალ. პარტიებს შორის. [illegible] II ფაქტობრივად აღარ არსებობდა. [illegible] II-ის პარტიათა შორის თანამიმდევრულ[illegible] პოზიცია ომისა და მუშათა კლასის რე[illegible] ბრძოლის საკითხში მხოლოდ ბოლშევ[illegible]კურმა პარტიამ დაიკავა ვ. ი. ლენინ[illegible] ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინმა ჯ[illegible]კიდეე 1914 შემოდგომაზე შეიმუშავა ი[illegible] პერიალ. ომის სამოქალაქო ომში გადაზ[illegible]დის, იმპერიალ. ომში „საკუთარი" მთა[illegible]რობის დამარცხების პრინციპები; მოი[illegible]ხოვა O. II-თან ყოველგვარი კავშირის გ[illegible] წყვეტა და ახ. *კომუნისტური ინტერნაც[illegible]ონალის* შექმნა. ორ მსოფლიო ომს შორ[illegible] პერიოდში სოციალ. პარტიებმა შექმნ[illegible] საერთაშ. სოციალ. გაერთიანებები *ბერ[illegible]ნის ინტერნაციონალი*, *„ინტერნაციონა[illegible]ლი II½"*, სოციალისტური მუშათა ინტ[illegible]რნაციონალი. ამ უკანასკნელის ნაცვლ[illegible] 1951 შეიქმნა *სოციალისტური ინტერნ[illegible]ციონალი*. *გ. კიღურაძ[illegible]*

„ინტერნაციონალი II ½", ვ ე ნ ი ინ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი, სოციალის[illegible]ტური პარტიების საერთაშორისო მუშათ[illegible] გაერთიანების გავრცელებული სახელწო[illegible]დება. აერთიანებდა ავსტრ., ბელგ., დიდ[illegible] ბრიტ., გერმ., საბერძნ., ესპ., პოლ[illegible] რუმინ., აშშ-ის, საფრ., შვეიც. და სხვ[illegible] ქვეყნების ცენტრისტულ სოციალ. პარ[illegible]ტიებსა და ჯგუფებს, აგრეთვე რუს მენშ[illegible]ვიკებსა და ესერებს. არსებობდა 1921[illegible] 23. „O. II ½" შექმნეს 1921 წ. 22—2[illegible]თებ. კონფერენციაზე ვენაში ცენტრის[illegible]ტულმა პარტიებმა და ჯგუფებმა, რ-ებმ[illegible] ფორმალურად გაწყვიტეს კავშირი ოპო[illegible]ტუნისტულ *ბერნის ინტერნაციონალთან*[illegible] „O. II ½-ის" შექმნის ნამდვილი მიზა[illegible] იყო ხელი შეეშალათ მშრომელი მასები[illegible] დიდი ნაწილისათვის გადასულიყვნენ კ[illegible] მუნისტური ინტერნაციონალის მხარე[illegible] „O. II ½-ის" ლიდერები (ფ. ადლერ[illegible] ო. ბაუერი, რ. გრიმი, ა. კრისპინი, [illegible] ლონგე, ჯ. რ. მაკდონალდი, ლ. მარტოვ[illegible] ვ. ჩერნოვი და სხვ.) ფორმალურად ე[illegible]ოდნენ ბერნის ინტერნაციონალის კრიტ[illegible]კას, საქმით კი პროლეტ. მოძრაობის ყვ[illegible]ლა მნიშვნელოვან საკითხში ოპორტუნის[illegible]ტულ-ცენტრისტულ პოზიციებზე რჩებ[illegible]დნენ, ცდილობდნენ სოციალ. პარტიებ[illegible] ახ. გაერთიანება გამოეყენებინათ ყველ[illegible] ქვეყანაში კომუნისტთა გავლენის ზრდ[illegible] წინააღმდეგ. «„II ½" ინტერნაციონალი[illegible] ვაჟბატონები, — წერდა ვ. ი. ლენინი, [illegible] რომელთაც სურთ რევოლუციონერები ე[illegible] ქვათ, საქმით ყოველი სერიოზული მდგ[illegible]მარეობის დროს კონტრრევოლუციონერ[illegible]ბი არიან, რადგან მათ ეშინიათ ძველი [illegible] ხელმწიფო აპარატის ძალით დანგრევის[illegible] მათ არა სწამთ მუშათა კლასის ძალები[illegible] (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 7). 19[illegible] მაისში „O. II ½" შეუერთდა ბერნის ინ[illegible]ტერნაციონალს და შეიქმნა ე. წ. მუშა[illegible] *სოციალისტური ინტერნაციონალი*.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ახალი დრ[illegible]ება, ძველი შეცდომები ახალი სახით, თხზ[illegible] გამოც. მე-4, ტ. 33; М о г и л е в с к и[illegible] С. А., Восстановление II Интернационал[illegible] 1919—1923 гг. (Из истории международны[illegible] реформистских центров в годы революц[illegible]онного подъема), М., 1963. *გ. კიღურაძ[illegible]*

ინტერნაციონალი III, იხ. *კომუნ[illegible]ტური ინტერნაციონალი*.

„ინტერნაციონალი IV“, სახელწოდება, რ-იც დაირქვა საერთაშორისო ტროცკისტულმა გაერთიანებამ. შექმნა 1938 პარიზში ტროცკისტთა მცირე ჯგუფმა. 1953 „O. IV“ აკითიშა „საერთაშორისო სამდივნოდ“ და „საერთაშორისო კომიტეტად“. 1962 „საერთაშორისო სამდივნოს“ გამოეყო „ლათინური ამერიკის ბიურო“, ხოლო 1963— „უმცირესობა“ (შემდეგში ეწოდა „IV ინტერნაციონალის მარქსისტულ-რევოლუციური ტენდენცია“). ამ ერთმანეთის მიმიშპე დაჯგუფებათაგან თითოეული აცხადებს, რომ მხოლოდ ის წარმოადგენს O. IV-ს“.

ტროცკისტული ცენტრები „O. IV-ის“ სახელით 2—3 წელიწადში ერთხელ იწვევენ კონგრესებს. სცემენ ჟურნალებს (უმიშვნელო ტირაჟით), პროპაგანდისტულ ასალას. დას. ევროპისა და ლათ. ამერ. ზოგიერთ ქვეყანაში, აგრეთვე აშშ-ში რსებული მცირერიცხოვანი ტროცკისტული ჯგუფები მოქმედებენ როგორც ერთრთი ამ ცენტრის „სექციები“.

„O. IV-ის“ დაჯგუფებები ყველგან ბარს უჭერენ გამთიშველ ანტიკომუნისურ მიმდინარეობებს. ფსევდორევ. ფორულას — „ყველაფერი ან არაფერი“ — ბოფარებულები ქადაგებენ ან მომავალი ევ. მოვლენების პასიურ მოლოდინს, ან ყოფენ მარცხისათვის წინასწარ განწიული ავანტიურისტული გამოსვლების როვოცირებას, გამოდიან ერთიანი ანტიონოპ. და ანტიიმპერიალ. მოქმედების, აპიტალ. ქვეყნებში საერთო დემოკრ. ოთხოვნებისათვის ბრძოლის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიები ააშკარავებენ როცკისტთა პოლიტიკის ანტირევ. არსს, ჩყლავნებენ კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ მათ მიერ გამოყენებულ ძირგამომთხრელი საქმიანობის მექანიზმს.

ლიტ.: Басманов М. И., Антиэволюционная сущность современного троцкизма, М., 1971. *გ. კილურაძე.*

„ინტერნაციონალი ანარქისტული“, ეგ უწოდებდნენ ლიტერატურაში საერთაშორისო გაერთიანებას, რ-იც 1872—73 შექმნა I ინტერნაციონალისაგან განდევნილმა ანარქისტულმა უმცირესობამ. მათ არყვეს I ინტერნაციონალის ჰაგის კონგრესის გადაწყვეტილებანი, კერძოდ, I ინტერნაციონალის საერთო წესდების მე-7 უხლი, რ-იც ითვალისწინებდა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობისა ა ყველა ქვეყანაში მუშათა კლასის დაუკიდებელი პოლიტ. პარტიის შექმნის �ილებლობას. 1873 სექტ-ში ანარქისტებმა ჟენევაში მოიწვიეს კონგრესი, საც ინგლ. რეფორმისტების მონაწილეობით ორგანიზაციულად გააფორმეს თავიდთი გაერთიანება და მას უკანონოდ უწოდეს „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა“. O. A-ის“ სექციები იყო შვეიცარიაში, ესპანეთში, ბელგიაში და სხვ.

ლიტ.: Маркс К, и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 18—19; Первый Интернационал, ч. 2, М., 1965. *გ. კილურაძე.*

ინტერნაციონალიზმი (ფრანგ. internationalisme<ლათ. inter — შორის და natio — ხალხი), სხვადასხვა ეროვნებისა ა რასის მუშების, მშრომელების საერთაშორისო სოლიდარობა, რ-იც ვლინდება სიქოლოგიაში, იდეოლოგიასა და პოლიტიკაში; სოციალ. O. — ყველა ქვეყნის მუშებისა და სოციალ. ქვეყნების კლასობრივი სოლიდარობა სოციალიზმისა და კომუნიზმის დასამყარებლად. მისი პრინციპებია ურთიერთდახმარება, თანაგრძნობა, პატივისცემა, გაზიზღილების გაიარება, პრაქტ. და თეორ. მოღვაწეობის ერთიანობა, ხალხთა თანასწორობის, თავისუფლების, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარება. დასაწყისში იგი ეგვივალინა პროლეტ. O-ს სახით, რ-ის იდეა წამოაყენეს კ. მარქსმა და ფ. ენგელმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“. ურეუაზიის ბალას უნდა დაპირისპირებოდა მუშების ინტერნაც. ძალა. სხვანაირად საერთაშ. ბურჟ. დამლეგა შეუძლებელი იყო. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, — ასე გამოიხატა პროლეტ. O-ის არსი. O-ის შემდეგი ეტაპი დაკავშირებულია სსრკ-ის წარმოშობასთან. საბჭ. ქვეყნის ურთიერთობა კაპიტალ. ქვეყნების მუშათა კლასსა და მის პარტიებთან ემყარებოდა O-ის პრინციპებს. ამ პრინციპებს დაეფუძნა აგრეთვე ურთიერთობა სსრკ-ში შემავალ ერებსა და ხალხებს შორის. მსოფლიო სოციალიზმის სისტემის შექმნით ინტერნაც. ურთიერთობის ადრინდ. ფორმებს დაემატა ურთიერთობა, ერთი მხრივ, თვით სოციალ. ქვეყნებს შორის და, მეორე მხრივ, სოციალ. ქვეყნებსა და ე. წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის. O. სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის, სოციალ. ქვეყნების ძლიერებისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. სოციალიზმი სპობს არა მარტო კლასობრივ, არამედ ეროვნ. ჩაგვრასაც. ამიტომ O., ბურჟ. ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ხალხთა დაახლოების, მეგობრობისა და მშვიდობის იდეოლოგიას. „ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში“ (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 20, გვ. 13). O. არ უარყოფს ეროვნ. სამშობლოს და პატრიოტიზმს, ეროვნ. სუვერენიტეტსა და კულტ. ეროვნ. ფორმებს. იგი ძირეულად განსხვავდება კოსმოპოლიტიზმისაგან, რ-იც დღევანდელ პირობებში ბურჟ. ნაციონალიზმის შენიღბულ ფორმას წარმოადგენს.

ოპორტუნიზმი აშკარად უარყოფს პროლეტ. O-ს, თანამედროვე პირობებში მას მოძველებულადაც მიიჩნევს. რევიზიონიზმი სიტყვით აღიარებს O-ს, მაგრამ ისე განმარტავს მას, რომ ფაქტობრივად უარყოფს. ის არ ცნობს სოციალიზმის დამყარებისა და აშენების ზოგად კანონზომიერებას, იცავს „ეროვნული კომუნიზმის“ იდეას, უგულებელყოფს ურთიერთდახმარების ინტერნაციონალურ პრინციპს.

ლიტ.: Марксизм-ленинизм о пролетарском интернационализме, М., 1969; გოზაშვილი ა., სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ერთიანობა, თბ., 1972. იხ. აგრეთვე ლიტ. სტატიებთან: ერი, ეროვნული საკითხი.

ა. გონაშვილი.

ინტერნაციონალიზმი (ენობრივი), მრავალ ენაში გავრცელებული სიტყვა ან გამოთქმა, უპირატესად ლათ., ბერძნ., აგრეთვე არაბ. წარმოშობისა (მაგ., „ალგებრა“ არაბ., „ფილოსოფია“ ბერძნ. და სხვ.).

ინტერნაციონალური ბრიგადები, ინტერნაციონალური შენაერთები, რ-ებიც იბრძოდნენ ესპანეთის რესპუბლიკის მხარეზე 1936—39 ესპ. ეროვნულ-რევოლუციური ომის დროს. შედგებოდა 54 ქვეყნიდან ესპანეთში ჩასული კომუნისტების, სოციალისტებისა და სხვა პოლიტ. მიმართულების ანტიფაშისტებისაგან. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა 7 O. ბ. ინტერბრიგადელთა საერთო რიცხვი 35 ათ-მდე აღწევდა. ისინი დაკომპლექტებული იყვნენ უმთავრესად ეროვნ. წარმომადგენლობის ნიშნის მიხედვით. O. ბ-ის ბატალიონები ატარებდნენ გარიბალდის, ტელმანის, მიცკევიჩის, ლინკოლნის, დომბროვსკის, ბარბიუსის, დიმიტროვის და სხვა გამოჩენილ პროგრ. მოღვაწეთა სახელებს. O. ბ. მონაწილეობდნენ მადრიდის დაცვაში და სხვ. მნიშვნელოვან ბრძოლებში. ამ ბრიგადებში იბრძოდნენ იტალიელები: ლ. *ლონგო* (ფსევდონიმი გალო), ფ. დე როზა, პ. *ნენი;* უნგრელი მატე *ზალკა* (ლუკაჩი) და სხვ. ცნობილი ანტიფაშისტები. O. ბ-ის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა პ. *ტოლიატიმ.* 1938 ოქტ. რესპ. მთავრობის გადაწყვეტილებით O. ბ. ევაკუირებულ იქნა ესპანეთიდან. O. ბ-მა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ესპ. ხალხს. ეს იყო დემოკრ. ანტიფაშისტური ძალების საერთაშ. სოლიდარობის შესანიშნავი მაგალითი.

ინტერნირება (ფრანგ. interner — ბინადრობის მიჩენა<ლათ. internus — შინაგანი), მეომარი სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი იმ უცხოელების დაკავება-იზოლაცია, რ-ებიც მტრული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. ჟენევის 1949 კონვენცია „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ მოითხოვს, რომ ინტერნირებული პირები არ იმყოფებოდნენ საომარი მოქმედების ზონაში. ამავე დროს ისინი უფასოდ უნდა უზრუნველყონ საკვებით, ტანსაცმლით, სამედ. მომსახურებით, მისცენ აგრეთვე მიმოწერის თავისუფლება. ნეიტრალური სახელმწიფო ახდენს მეომარი სახელმწიფოების სამხ. პირთა O-ს, თუ ისინი მის ტერიტორიაზე მოხვდნენ (მაგ., ფრონტიდან უკან დახევის შედეგად); იგი მოვალეა განაიარაღოს ისინი და ომის დამთავრებამდე დააკავოს, მათი შენახვის ხარჯები კი ომის შემდეგ მათსავე სახელმწიფოს ეკისრება. O. წყდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტისთანავე. *გ. ყვანია.*

ინტერნუნციუსი, იხ. სტ. *დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები.*

ინტერორეცეპტორები, ინტერორეცეპტორები (ლათ. interior — შინაგანი და receptor — მიმღები), მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებების — *რეცეპტორების* — დიდი ჯგუფი, რ-იც გაფანტულია სხვადასხვა ქსოვილსა და შინაგან ორგანოში. ტერმინი „O.“ შემოიღო ინგლ. ფიზიოლოგმა ჩ. *შერინგტონმა.* O-ს ყოფენ ბარო- და მექანორეცეპტორებად, *ქემორეცეპტორებად, თერმორეცეპტორებად, ოსმორეცეპტორებად* და სხვ. ტკივილის გაღიზიანების მიმღები სპეციფ. O-ის, ე. წ. ნოცირეცეპტორების (ლათ. nocivus — მავნე), საკითხი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. O-ს ეკუთვნის აგრეთვე *პროპრიორეცეპტორები.*

ინტერპელაცია, იხ. სტ. *დეპუტატის შეკითხვა.*

„ინტერპოლ“, სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Criminal Police Organization, „Interpol“), შეიქმნა 1923 ვენაში სისხლის სამართ. პოლიციის კონგრესზე, როგორც ამ კონგრესის ორგანო. 1930 გამოეყო კონგრესს დამოუკიდებელ ორგანიზაციად. II მსოფლიო ომის დასაწყისში ხელში ჩაიგდეს ნაცისტებმა. ომის დამთავრების წინ ფაშისტებმა გაანადგურეს „O-ის“ დოკუმენტაცია და მან ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. მუშაობა განაახლა 1946, როცა მიიღეს მისი ახ. წესდება. „O.“ აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართ. პოლიციის ძალებს. „O-ის“ ამოცანაა ცალკეულ დანაშაულთა (ნარკოტიკების გავრცელება, ყალბი ფულის დამზადება, კონტრაბანდა და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშ. მასშტაბით.

მთავარი ორგანოა გენ. ასამბლეა, რ-იც აერთიანებს „O-ის“ წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. აღმასრ. ორგანოა გენ. სამდივნო. შტაბ-ბინა პარიზშია. ოფიც. ენებია ინგლისური, ფრანგული, ესპანური.

მ. უგრეხელიძე.

ინტერპოლატორი (<ლათ. interpolo— ვაახლებ), სპეციალიზებული ანალოგური ან ციფრული გამომთვლელი მოწყობილობა, რ-იც განსაზღვრავს მოცემულ ანალიზურ მრუდზე უწყვეტად მოძრავი წერტილის კოორდინატებს. სამართავი კოორ-



ინტერფერენცია ტალღებისა

ინტერფერენციის უმარტივესი სახეა ორი ბარმონიული რხევის შეკრება იმ შემთხვევაში, როდესაც რხევების მიმართულება ერთმანეთს ემთხვევა. ინტერფერენციული სურათი დამოკიდებულია რხევების გავრცელების მიმართულებაზე, ამპლიტუდასა და ფაზაზე. სივრცის რაიმე A წერტილში მაშედეგებელი ტალღის ამპლიტუდა $a=$

$$\sqrt{a_1^2+a_2^2+2a_1a_2\cos\varphi}.$$

სადაც a_1 და a_2 შესაკრები ტალღების ამპლიტუდებია, ხოლო φ — ამ ტალღების ფაზათა სხვაობა განსახილველ წერტილში. თუ ფაზათა სხვაობა თითოეულ წერტილში უცვლელია, სივრცეში მიიღება მაშედეგებელი ტალღის ამპლიტუდის უცვლელი განაწილება მონაცვლეობული მაქსიმუმებითა და მინიმუმებით. ორი წერტილოვანი S_1 და S_2 წყაროს შემთხვევისათვის $\Delta=2\pi(r_2-r_1)/\lambda$, სადაც λ არის ტალღის სიგრძე, ხოლო r_1 და r_2 — მანძილები ორივე წყაროდან განსახილველ წერტილამდე: $\Delta=r_1-r_2$ ეწოდება ტალღების სვლათა სხვაობა. მაქსიმუმები მიიღება იმ წერტილებში, სადაც სრულდება პირობა $\Delta=n\lambda$, ხოლო მინიმუმები მაშინ, როცა $\Delta=(2n+1)\lambda/2$, სადაც $n=0,\pm1,\pm2,\ldots$ იმ წერტილთა გეომეტრიული ადგილი, რომელთათვისაც $\Delta=const$, ბრუნვითი ჰიპერბოლოიდებია. ჰიპერბოლები წარმოადგენს ნახაზის სიბრტყის კვეთას შესაბამისად მაქსიმალური (მსხვილი ხაზები) და მინიმალური (წვრილი ხაზები) ამპლიტუდის ჰიპერბოლოიდებთან (ფოტოსეანი ემთხვევიან წყაროებს). S_1 S_2 წრფის გასწვრივ ათვლილი მანძილი მაქსიმალური (ან მინიმალური) ამპლიტუდის ორ მეზობელ ჰიპერბოლას შორის უდრის $\lambda/2$, ვინაიდან ერთი ჰიპერბოლიდან მეორეზე გადასვლისას Δ იცვლება λ-თი. წყაროებს შორის მანძილის ცვლილებისას ინტერფერენციული სურათი იცვლება და წყაროების ერთმანეთთან მიახლოებისას უფრო და უფრო უახლოესდება ერთი წერტილოვანი წყაროს მიერ შექმნილ სურათს (მაქსიმალური ამპლიტუდის ჰიპერბოლა მოცემულ ნახაზზე შუიდა, ამიტომ იგი შეესაბამება იმ შემთხვევას, როცა წყაროებს შორის მანძილი ოთხი ტალღის სიგრძის რიგისაა).

ინტერვალი (ლათ. intervallum — ფეხსაცმელი, ფეხსაცმელის ენაბი) 1. ბ ი ო ლ ო გ ი ა შ ი, ჰომოლოგიური *ქრომოსომების* ერთ-ერთი უბნის გადაჯვარედინების (*ქროსინგოვერის*) გავლენა მის მახლობელ უბნებში ახალ გადაჯვარედინებაზე. ჩვეულებრივ Ი-ის ეს ფორმა ხელს უშლის ახ. გადაჯვარედინების წარმოქმნას მეზობელ უბანში. ამიტომ ცდის პირობებში ორმაგი ქროსოვერული ინდივიდების რაოდენობა მოსალოდნელზე ნაკლებია. Ი. განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა გენებს შორის მანძილი მცირეა; 2. მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი ვირუსების Ი. — შერეული ინფექციის დროს ერთი ვირუსის მიერ მეორის მოქმედების დათრგუნვა.

ინტერფერენცია ტ ა ლ ღ ე ბ ი ს ა, სივრცეში ორი (ან მეტი) ტალღის შეკრება, რ-ის დროსაც სხვადასხვა წერტილში ძლიერდება ან სუსტდება ჯამური ტალღის ამპლიტუდა. Ი. დამახასიათებელია ყველა სახის ტალღისათვის. თუ სივრცეში ორი ტალღა ვრცელდება, სივრცის ნებისმიერ წერტილში ჯამური რხევა შესაკრები ტალღების რხევათა გეომ. ჯამია. სუპერპოზიციის ეს პრინციპი ჩვეულებრივ დიდი სიზუსტით სრულდება და ირღვევა მხოლოდ ძალიან დიდი ამპლიტუდის მქონე ტალღების Ი-ის დროს. Ი. მხოლოდ კოჰერენტული ტალღებისთვისაა შესაძლებელი (იხ. *კოჰერენტულობა*).

Ი-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია შეკრება ორი ბრტყელი ტალღისა, რ-ებიც ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ვრცელდება. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ე. წ. *მდგარი ტალღა*.

ტალღების Ი-ს ფართოდ იყენებენ სამეცნ. კვლევის დროს, ტექნიკაში, ხელოვნებაში: *ინტერფერომეტრში*, *რაღიოინტერფერომეტრში*, *ინტერფერენციული მანძილსაზომში* და სხვ. იხ. აგრეთვე *სინათლის ინტერფერენცია*.

ინტერფერომეტრი, საზომი ხელსაწყო, რ-შიც ტალღების *ინტერფერენციას* იყენებენ. ტალღების ბუნების მიხედვით იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს აკუსტიკურ ან ელექტრომაგნ. ტალღებისათვის. ოპტ. Ი-ში სინათლის ნაკადი იყოფა ორ ან უფრო მეტ კოჰერენტულ სხივად, რ-ებიც სხვადასხვა ოპტ. გზებს გაივლიან და შემდგომ ისევ ერთდებიან — მიიღება ამ სხივების ინტერფერენციული სურათი. იგი დამოკიდებულია სინათლის ნაკადის კოჰერენტულ სხივებად დაშლის საშუალებაზე, მათ რიცხვსა და ფარდობითს ინტენსივობაზე, წყაროს ზომებსა და სინათლის სპექტრულ შედგენილობაზე. სინათლის საინტერფერენციო კონების მიხედვით ოპტ. Ი. შეიძლება იყოს მრავალსხივიანი და ორსხივიანი.

ორსხივიან Ი-ში სინათლის სხივების სვლათა სხვაობის დაფიქსირებით ორ სხვადასხვა გარემოში შეიძლება სამი სიდიდიდან (სინათლის ტალღის სიგრძე, გზა მოსაკვლევი გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი, სინათლის სხივის მიერ გავლილი მანძილი ამ გარემოში) დადგინდეს ერთი. სინათლის ტალღის სიგრძე იზომება ინტერფერენციული სპექტროსკოპით, გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი — ინტერფერენციული რეფრაქტომეტრით და გეომ. სიგრძე — ინტერფერენციული კომპარატორით.

ორსხივიანი Ი-ის მაგალითია მაიკელსონის Ი., რ-ის მეშვეობით პირველად გაზომეს სინათლის ტალღის სიგრძე და დაამტკიცეს დედამიწის მოძრაობისაგან სინათლის სიჩქარის დამოუკიდებლობა (იხ. *მაიკელსონის ცდა*). არსებობ

დინატი შეიძლება იყოს 2—3 და მეტი. მაგ., ლითონსაჭრელი ჩარხების 4-კოორდინატიან სისტემაში 3 კოორდინატი საჭრისის 3 მიმართულებით გადაადგილებას მართავს, 1 კი — ნამზადის მობრუნებას.

პროგრამული მართვის სისტემებში Ი-ს მმართველ მოწყობილობად იყენებენ. მისი გამოსავალი სიდიდეები უშუალოდ ან შუალედური ინფორმაციის მატარებლით (მაგ., მაგნ. ან პერფორირებული ფირით) გადაეცემა მართვადი ობიექტის მუშა ორგანოს, რ-იც ამის შედეგად გადაადგილდება სიერცეში ან სიბრტყეზე მოცემული მრუდის შესაბამისად. მრუდის პარამეტრთა განსაზღვრის ხერხი დამოკიდებულია Ი-ის ტიპსა და განტოლებათა ამოხსნის იმ მეთოდზე, რ-იც გამოყენებულია Ი-ში. განასხვავებენ უწყვეტი მოქმედების და ციფრულ Ი-ებს. უმარტივესია უწყვეტი მოქმედების წრფივი Ი., რ-საც სწორხაზოვანი მონაკვეთების დასამუშავებლად იყენებენ. ციფრული მოქმედების Ი-ის მთავარი ელემენტია ციფრული *ინტეგრატორი*. *მ. ლოლობერიძე.*

ინტერპოლაცია (ლათ. interpolatio — განახლება) ტ ე ქ ს ტ ო ლ ო გ ი ა შ ი, ნაწარმოების ტექსტში არაავტორისეული ადგილების (ცალკეული სიტყვების, წინადადებების, მთელი აბზაცის ან სტროფის) ჩამატება-გადაკეთება. ამგვარი ადგილები განსაკუთრებით ხშირია ხელნაწერ ძეგლებში. Ი. შეიძლება იყოს უნებლიე (ძირითადად, ტექსტის გაუგებრობით გამოწვეული) და შეგნებული. ძეგლში Ი-ის გამოვლენა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. რუსთველოლოგიაში მწვავედ დგას ვეფხისტყაოსნის ტექსტის ინტერპოლაციური ადგილების გამოვლენის საკითხი.

ინტერპოლაცია მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა ს ა დ ა ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა შ ი, სიდიდის შუალედური მნიშვნელობების პოვნა, როდესაც ცნობილია ამ სიდიდის ზოგიერთი მნიშვნელობა. მაგ., $y=f(x)$ ფუნქციის მნიშვნელობების გამოთვლა $x_0<x_1<\ldots<x_n$ წერტილებს შორის მოთავსებულ x წერტილში, თუ ცნობილია, რომ $y_i=f(x_i)$, სადაც $i=0,1,\ldots,n$.). თუ x წერტილი x_0 და x_n წერტილებით შემოსაზღვრული ინტერვალის გარეთაა, მაშინ ანალოგიურ ამოცანას ეწოდება ე ქ ს ტ რ ა პ ო ლ ა ც ი ი ს ამოცანა. უმარტივესი წ რ ფ ი ვ Ი-ის დროს $f(x)$ მნიშვნელობას x წერტილში ($x_0<x<x_1$) მიიჩნევენ $y=\frac{x-x_0}{x_1-x_0}[f(x)-f(x_0)]+f(x_0)$ (*) წრფივი ფუნქციის სიდიდის ტოლად. (*) ფუნქცია $x=x_0$ და $x=x_1$ წერტილებში $f(x)$-ის ტოლია. Ი-ის ამოცანა მკაცრი მათ. თვალსაზრისით განუსაზღვრელია, თუ $f(x)$ ფუნქციის შესახებ არაფერი არ არის ცნობილი, გარდა მისი მნიშვნელობებისა $x_0, x_1, \ldots, x_n$ წერტილებში, მაშინ მათგან განსხვავებულ x წერტილში მისი მნიშვნელობა რჩება სრულიად განუსაზღვრელი. Ი-ის ამოცანა ღებულობს გარკვეულ აზრს, თუ $f(x)$ ფუნქცია და მისი წარმოებულები აკმაყოფილებენ გარკვეულ უტოლობებს. თუ, მაგ., მოცემულია ფუნქციის $f(x_0)$ და $f(x_1)$ მნიშვნელობები და ცნობილია, რომ $x_0<x<x_1$ პირობის შესრულებისას სამართლიანია $|f''(x)|\leqslant M$ უტოლობა, მაშინ (*) ფორმულის ცდომილება შეიძლება შეფასდეს $|f(x)-y|\leqslant M(x-x_0)(x_1-x)/2$ უტოლობით. Ი-ს იყენებენ აგრეთვე მიახლოებითი ინტეგრირების, განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის დროს, სტატისტიკაში და სხვ.

ინტერპრეტაცია (ლათ. interpretatio — გაგება, ახსნა-განმარტება) მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი, ლ ო გ ი კ ა შ ი, მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ე თ ო დ ო ლ ო გ ი ა შ ი, შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს თ ე ო რ ი ა შ ი, იმ მნიშვნელობათა (აზრების) ერთობლიობა, რ-ებიც ამა თუ იმ ხერხით მიენიჭება რ-იმე საბუნებისმეტყველო ან აბსტრაქტულ-დედუქციური თეორიის ელემენტებს (გამონათქვამებს, ფორმულებს, სიმბოლოებს და ა. შ.). როდესაც ასეთი „გააზრების" ობიექტები თვით ამ თეორიის ელემენტებია, ადგილი აქვს აგრეთვე სიმბოლოების, ფორმულებისა და მისთ. Ი-ს.

Ი-ს აქვს დიდი გნოსეოლოგიური მნიშვნელობა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეცნ. თეორიებისა და მათ მიერ აღწერილი დარგების შეპირისპირების დროს, თეორიის აგების სხვადასხვა წესის აღწერისა და მათ შორის თანაფარდობათა ცვლილებების დახასიათებისას შემეცნების განვითარების დროს. ვინაიდან ყოველი საბუნებისმეტყველო თეორია ჩაფიქრებულია და აგებულია რეალური სინამდვილის რაიმე სფეროს აღწერისათვის, ამიტომ ეს სინამდვილე ემსახურება მის (თეორიის) „ბუნებრივ" Ი-ს. მაგრამ ასეთი „ნაგულისხმევი" Ი-ები არ არის ერთადერთი შესაძლებელი კლასიკური ფიზიკისა და მათ. შინაარსობრივი თეორიებისთვისაც კი. ასე მაგ., ერთი და იგივე დიფერენც. განტოლებებით აღწერადი მექან. და ელექტრული რხევადი სისტემების იზომორფიზმიდან გამომდინარეობს, რომ ამ განტოლებებს აქვს სულ ცოტა ორი განსხვავებული Ი.

ლიტ.: Г и л ь б е р т Д., Основания геометрии, пер. с нем., М.—Л., 1948, гл. 2, § 9; К л и н и С. К., Введение в метаматематику, пер. с англ., М., 1957, гл. 3, § 15.

ინტერსექსუალობა, ა კ უ მ ო ბ ა, ცალსქესიან ცხოველში ორივე სქესის ნიშან-თვისებების არსებობა. ეს ნიშნები შუალედურია და ბოლომდე განუვითარებელი (*ჰერმაფროდიტიზმი*), ამასთანავე, ვლინდება სხეულის ერთსა და იმავე ნაწილზე. ასეთი ორგანიზმის ემბრიონი მეორე სქესის ნიშნებს მოგვიანებით იძენს. Ი. რამდენიმე ტიპისაა: ზ ი გ ო ტ უ რ ი ანუ გენეტიკური Ი. გამოწვეულია სასქესო ქრომოსომებისა და გენების კომპლექტის ნორმიდან გადახრით, ჰ ო რ მ ო ნ უ ლ ი Ი. ისეთ ცხოველებში ვითარდება, რ-თა სასქესო ჯირკვლები გამოიმუშავებენ მეორეული სასქესო ნიშნების განმსაზღვრელ ჰორმონებს. ასეთი ცხოველის კასტრაციისა და მასში მეორე სქესის სასქესო ჯირკვლების გადანერგვისას ორგანიზმი ინტერსექსი ხდება.

ინტერტიპი (ინგლ. intertype), სტრიქონჩამოსასხმელი ასაწყობი მანქანა, რ-საც *ლინოტიპის* მსგავსი კონსტრუქცია აქვს.

ინტერფაზა (ლათ. inter — შორის და ფაზა), ი ნ ტ ე რ კ ი ნ ე ზ ი, უჯრედის სასიცოცხლო ციკლის სტადია ორ თანამიმდევარ მიტოზურ გაყოფას შორის (იხ. *მიტოზი*). განარჩევენ ჰეტეროსინთეზურ Ი-ს, რ-ის დროსაც უჯრედი იზრდება, დიფერენცირდება, ასრულებს თავის ფუნქციებს, და ავტოსინთეზურ Ი-ს, რ-ის განმავლობაშიც უჯრედი ემზადება მომდევნო გაყოფისათვის. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) სინთეზის ინტენსივობის მიხედვით, ავტოსინთეზური Ი. თავის მხრივ 3 პერიოდად იყოფა: G_1 — პრესინთეზური ანუ პოსტმიტოზური, S — სინთეზური და G_2 — პრემიტოზური ანუ პოსტსინთეზური პერიოდები. G_1 პერიოდში უჯრედში გროვდება გაყოფისათვის საჭირო ენერგია. მიმდინარეობს რნმ-ის სინთეზი და დნმ-ის რედუპლიკაციისათვის მზადება. კერძოდ, წარმოიქმნება ამ პროცესისათვის საჭირო ფერმენტები და ცილები, რის გამოც უჯრედის მასა დიდდება. S პერიოდში სინთეზდება დნმ, ე. ი. ხდება მისი მოლეკულების გაორმაგება. G_2 პერიოდში დნმ-ის სინთეზი მთავრდება. ძლიერდება რიბონუკლეინის მჟავას და ცილების სინთეზი, რაც, როგორც ჩანს, ხმარდება მიტოზური აპარატის წარმოქმნას. მოზრდილი ორგანიზმის უჯრედში Ი. 10—30 *სთ* ან მეტ ხანს გრძელდება, ისეთ უჯრედებში კი, რ-ებიც სწრაფად იყოფიან, Ი-ს ხანგრძლივობა რამდენიმე წუთს აღწევს. Ი-ის ცალკეული პერიოდების გამიჯვნა ძნელია და ერთგვარად პირობითიცაა. ზოგიერთი ავტორი S და G_2 პერიოდებს არ მიაკუთვნებს Ი-ს და მიაჩნია, რომ ისინი მიტოზის დასაწყისი ანუ პ რ ე პ რ ო ფ ა ზ ა ა, რითაც იწყება უჯრედის რეპროდუქცია. *დ. ჯოხაძე*

ინტერფერენცია (ლათ. inter — ურთიერთ და ferio — ვარტყამ, ვამარცხებ) 1. ბ ი ო ლ ო გ ი ა შ ი, ჰომოლოგიური *ქრომოსომების* ერთ-ერთი უბნის გადაჯვარედინების (*ქროსინგოვერის*) გავლენა მის მახლობელ უბნებში ახალ გადაჯვარედინებაზე. ჩვეულებრივ Ი-ის ეს ფორმა ხელს უშლის ახ. გადაჯვარედინების წარმოქმნას მეზობელ უბანში. ამიტომ ცდის პირობებში ორმაგი ქროსოვერული ინდივიდების რაოდენობა მოსალოდნელზე ნაკლებია. Ი. განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა გენებს შორის მანძილი მცირეა; 2. მ ე დ ი ც ი ნ ა შ ი ვირუსების Ი. — შერეული ინფექციის დროს ერთი ვირუსის მიერ მეორის მოქმედების დათრგუნვა.

ინტერფერენცია ტ ა ლ ღ ე ბ ი ს ა, სივრცეში ორი (ან მეტი) ტალღის შეკრება, რ-ის დროსაც სხვადასხვა წერტილში ძლიერდება ან სუსტდება ჯამური ტალღის ამპლიტუდა. Ი. დამახასიათებელია ყველა სახის ტალღისათვის. თუ სივრცეში ორი ტალღა ვრცელდება, სივრცის ნებისმიერ წერტილში ჯამური რხევა შესაკრები ტალღების რხევათა გეომ. ჯამია. სუპერპოზიციის ეს პრინციპი ჩვეულებრივ დიდი სიზუსტით სრულდება და ირღვევა მხოლოდ ძალიან დიდი ამპლიტუდის მქონე ტალღების Ი-ის დროს. Ი. მხოლოდ კოჰერენტული ტალღებისთვისაა შესაძლებელი (იხ. *კოჰერენტულობა*).

Ი-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია შეკრება ორი ბრტყელი ტალღისა, რ-ებიც ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ვრცელდება. ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ე. წ. *მდგარი ტალღა*.

ტალღების Ი-ს ფართოდ იყენებენ სამეცნ. კვლევის დროს, ტექნიკაში, ხელოვნებაში: *ინტერფერომეტრში*, *რაღიოინტერფერომეტრში*, *ინტერფერენციული მანძილსაზომში* და სხვ. იხ. აგრეთვე *სინათლის ინტერფერენცია*.

ინტერფერომეტრი, საზომი ხელსაწყო, რ-შიც ტალღების *ინტერფერენციას* იყენებენ. ტალღების ბუნების მიხედვით იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს აკუსტიკურ ან ელექტრომაგნ. ტალღებისათვის. ოპტ. Ი-ში სინათლის ნაკადი იყოფა ორ ან უფრო მეტ კოჰერენტულ სხივად, რ-ებიც სხვადასხვა ოპტ. გზებს გაივლიან და შემდგომ ისევ ერთდებიან — მიიღება ამ სხივების ინტერფერენციული სურათი. იგი დამოკიდებულია სინათლის ნაკადის კოჰერენტულ სხივებად დაშლის საშუალებაზე, მათ რიცხვსა და ფარდობითს ინტენსივობაზე, წყაროს ზომებსა და სინათლის სპექტრულ შედგენილობაზე. სინათლის საინტერფერენციო კონების მიხედვით ოპტ. Ი. შეიძლება იყოს მრავალსხივიანი და ორსხივიანი.

ორსხივიან Ი-ში სინათლის სხივების სვლათა სხვაობის დაფიქსირებით ორ სხვადასხვა გარემოში შეიძლება სამი სიდიდიდან (სინათლის ტალღის სიგრძე, გზა მოსაკვლევი გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი, სინათლის სხივის მიერ გავლილი მანძილი ამ გარემოში) დადგინდეს ერთი. სინათლის ტალღის სიგრძე იზომება ინტერფერენციული სპექტროსკოპით, გარემოს გარდატეხის მაჩვენებელი — ინტერფერენციული რეფრაქტომეტრით და გეომ. სიგრძე — ინტერფერენციული კომპარატორით.

ორსხივიანი Ი-ის მაგალითია მაიკელსონის Ი., რ-ის მეშვეობით პირველად გაზომეს სინათლის ტალღის სიგრძე და დაამტკიცეს დედამიწის მოძრაობისაგან სინათლის სიჩქარის დამოუკიდებლობა (იხ. *მაიკელსონის ცდა*). არსებობ

ყრეთვე ორსხივიანი O-ები, რ-თა დანიშ-
ულებაა აირისა და სითხის გარდატეხის
ჩვენებლის გაზომვა; მათ ინტერფერ-
ციულ რეფრაქტომეტრებს უწოდებენ.
აავლსხივიანი O-ის მაგალითია ფაბ-
ა-პეროს O.; O-ების კონსტრუქციების
იდი ნაწილი დამუშავებულია სსრკ-ში.
ინტერფერონი (ლათ. inter — ურთი-
ერთ და ferio — ვარტყამ, ვამარცხებ), ა-
ამცველი ცილა, რ-საც გამოიმუშავებს
რინველებისა და ძუძუმწოვრების უჯრე-
ები და უჯრედთა კულტურები ვირუსებით
თი დასნებოვნების საპასუხოდ. O. თრგუ-
ვს ვირუსების გამრავლებას უჯრედებ-
ი. აღმოჩნდა, რომ O-ს წარმოქმნიან აგრე-
ვე ბაქტერიები, რიკეტსიები, ტოქსინები,

ლეინის მჟავები, სინთეზური პოლი-
ცლეოტიდები. O. დაბალმოლეკულური
ოლ. მასა 25000—110000) ცილების ჯგუ-
ია. იშლება პროტეოლიზური ფერმენტე-
ს გავლენით. *ანტისხეულებისაგან* გან-
ვავებით, O. მოქმედებს სხვადასხვა ვი-
უსის წინააღმდეგ, ამავე დროს იგი ბრგუ-
ვს ვირუსულ ნუკლეინის მჟავებს, რ-
აც აფერხებს მის გამრავლებას. უჯრედში
რუსული ინფექციის განვითარების შემ-
ეგ O. ეფექტს არ გვაძლევს. როგორც
ესი, O. სპეციფიკურია მისი წარმომქმნე-
ი უჯრედებისათვის. ფიქრობენ, რომ
რუსებზე მოქმედებს არა თვით O., არა-
ად სხვა ცილა, რ-იც მისი გავლენით გა-
ამუშავდება.
ინტიმა (ლათ. intimus — ყველაზე ღრმა,
ოგა), სისხლძარღვთა (კაპილარების გა-
აკლებით) კედლის შიგნითა გარსი; შე-
ედება ენდოთელიუმისაგან, მის გარეთ მდე-
რე ფაშარი შემაერთებელი ქსოვილისა
ა შიგნითა ელასტიკური მემბრანისაგან,
-იც O-ს გამოყოფს შუა გარსისაგან. ვე-
ბში O. ქმნის ჯიბისებრ (ნახევარრკა-
ოვან) სარქვლებს, რაც სისხლის ერთი
მართულებით მოძრაობას განაპირობებს.
ინტონაციო (<ლათ. intonio — ხმამაღ-
ა წარმოვთქვამ), მეტყველების რიტმულ-
ელოდიური წყობა, რ-ის მეშვეობითაც მთე-
ი წინადადების თუ მისი ცალკეული ელე-
ენტების გრამატ. და ლექსიკურ მნიშვნე-
ობას კონკრეტული გამომსახველობა
იეჭება. O. გადმოსცემს მოსაუბრის ემო-
ციებს, გრძნობებს, სურვილებს, მის დამო-
ოდებულებას ნათქვამისადმი, საუბრის მო-
წილეებისადმი. O-ს ქმნის მახვილის,
რითადი ტონის, პაუზის, ტემპისა და
ექსტის ხანგრძლივობის ერთიანობა დრო-
ა. ამათგან აუცილებელი კომპონენტია
რითადი ტონის მოძრაობა, ინტერვალე-
ტონებს შორის და მახვილი... O-ის მი-
დვით შეიძლება იყოს თხრობითი, კითხ-
თი, მიგებითი, დაპირისპირებითი, ძა-
თი, გაკვირვებითი და სხვ. ტიპის წინა-
ადებები. წერით მეტყველებაში O. გად-
ცემულია სასვენი ნიშნებით (ძირითა-
ად) და სხვ. გრაფ. საშუალებებით (აბ-
ცების გამოყოფა, სიტყვის გახაზვა,
ნსხვავებული შრიფტი და ა. შ.). სასა-
რო O-გან განსხვავებულია სალექსო
, სადაც ზემოჩამოთვლილს ემატება პო-
ური მეტყველებისათვის ნიშანდობლი-
რითმა, რიტმი, სალექსო საზომი და
ვ.
ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი გ., ზოგადი
ინტონაციის შესავალი, გამოც. მე-2, თბ., 1966;
თმეცნიერების შესავლის საკითხები, ვ. ახვ-
დიანის რედ.. თბ., 1972.
ინტონაციო მ უ ს ი კ ა შ ი, 1. მუსი-
ლურ-თეორიული და ესთეტიკური ცნე-
, რ-საც ერთმანეთთან დაკავშირებული
მდენიმე მნიშვნელობა აქვს. ფართო
გებით, O. მუს. ბგერების (ტონების)
წესრიგებაა სიმაღლისა და თანამიმდევ-
ობის მიხედვით (შდრ. დროის მიხედ-
თ ორგანიზებას — *რიტმს*), ვიწრო გა-
ბით — მელოდიის უმცირესი ნაწილი,
საც გამომსახველობითი მნიშვნელობა
ქს. O-ს ზოგჯერ მეტაფორულად მუს.
ტყვას უწოდებენ, თუმცა, სიტყვისაგან
განსხვავებით, მუს. O-ს გარკვეული კონკრ.
აზრი არ ვააჩნია. 2. მუს. ბგერის ან ინ-
ტერვალის ზუსტად ყურის ხარისხი (ბგე-
რის სიმაღლესთან მიმართებაში). O-ის
სისწორეს სმენა აღიქვამს იმ შემთხვევაში,
როცა მელოდიის თითოეული ბგერა და
ინტერვალი ყურს თავისი *ზონის* ფარგ-
ლებში. 3. ბგერათა ფიქსირებული სიმა-
ღლის მქონე მუს. საკრავების (ორგანი,
ფორტეპიანო) წარმოშობასა და აწყობა-
ში — საკრავის ბგერათრიგის თითოეული
ტონის ყურის სიზუსტე და თანაბრობა
ბგერის სიმაღლის, ტემბრისა და სიძლიე-
რის მიხედვით.
ინტოქსიკაცია (ლათ. in— -ში, შიგნით
და ბერძნ. toxikon — შხამი), ორგანიზმის
მოწამვლა ორგანიზმშივე წარმოქმნილი
(ენდოგენური) ან გარედან მოხვედრილი
(ეგზოგენური) ტოქსიკური ნივთიერებე-
ბით. ეგზოგენურ ტოქსინებს განეკუთვნება
ცხოველური (გველის შხამი), მცენარეული
(მაგ., ბაქტერიული ტოქსინები, ალკალო-
იდები) და საწარმოო შხამები (დარიშხა-
ნი, ტყვია, बენზოლი და სხვ.), წამლეული,
საბრძოლო მომწამლავი ნივთიერებანი და
სხვ. ენდოგენური ტოქსიკური პროდუქტე-
ბია ის ნივთიერებები, რ-ებიც წარმოიქმ-
ნება ღვიძლისა და თირკმლის მძიმე და-
ავადების, ნივთიერებათა ცვლისა და შინა-
განი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების
მოშლის დროს, აგრეთვე მიკრობული ტოქ-
სინები (ინფექციური დაავადების დროს)
და ქსოვილთა დაშლის პროდუქტები (ავ-
თვისებიანი სიმსივნის, ფართო დამწვრო-
ბის და სხვ. დროს). O-ს, რ-საც იწვევს
თვით ორგანიზმში წარმოქმნილი ნივთიე-
რებანი, ა ვ ტ ო ი ნ ტ ო ქ ს ი კ ა ც ი ა
ეწოდება, ჰორმონული პროდუქტებით მო-
წამვლას — ტ ო ქ ს ი კ ო ზ ი (ზოგჯერ
ტოქსიკოზს უწოდებენ ეგზოგენური შხა-
მებით მოწამვლასაც). შხამების მაავადე-
ბელი მოქმედება დამოკიდებულია შხამის
რაოდენობაზე, მოქმედების ხანგრძლივო-
ბაზე, მის ფიზ., ქიმ., და ბიოლ. თვისე-
ებებზე და ორგანიზმის რეაქციულობაზე.
მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ორგანიზმიდან
შხამების რაც შეიძლება სწრაფად გამო-
ყვანა; შხამსაწინააღმდეგო (იხ. *ანტიდო-
ტები*), სიმპტომური საშუალებანი და სხვ.
ავტოინტოქსიკაციის დროს — O-ის გამომ-
წვევი დაავადების მკურნალობა.
ინტრაზონალური მცენარეულობა,
მცენარეულობა, რ-იც არ ქმნის დამოუკი-
დებელ ზონას და, *აზონალური მცენარე-
ულობისაგან* განსხვავებით, ჩართულია
გარკვეულ ზონაში. მაგ., მლაშობი და ბი-
ცობი ნიადაგების მცენარეულობა უდაბნო-
სა და ველის (სტეპის) ზონებში. ჩვეუ-
ლებრივ, O. მ-ს უფრო მცირე ფართობი
უკავია, ვიდრე ზონალურს. მაგრამ ზოგან
ადგილ. ბუნებრივი პირობების გამო (რე-
ლიეფი, ნიადაგი) სჭარბობს კიდევაც მას.
მ. სახოკია.
ინტრიგა (ფრაგ. intrigue), დრამატულ
ან პროზაულ ნაწარმოებში სიუჟეტის გან-
საკუთრებულად დახლართული და დაძაბუ-
ული, წინააღმდეგობრივი განვითარება, რა-
საც თან ახლავს პერსონაჟთა ინტერესების
მკვეთრი შეჯახება. დიდი ფორმის ეპიკურ
ნაწარმოებში შეიძლება რამდენიმე O.
იყოს.
ინტროდუქცია (ლათ. introductio —
შესავალი), 1. ციკლური საკრავიერი ნა-
წარმოების (სიმფონია, დივერტისმენტი,
სიმებიანი კვარტეტი და ა. შ.) პირველი
ნაწილის ან ფინალის, აგრეთვე ერთნაწი-
ლიანი მუს. თხზულების მოკლე შესავალი.
2. მცირე ზომის საბალეტო ან საოპერო
უვერტიურის სახეობა, აგრეთვე ოპერის
ცალკეული აქტის საორკესტრო შესავალი.
3. ვოკალური ანსამბლი ან საგუნდო სცენა
ოპერაში, რ-იც უშუალოდ მოსდევს უვერ-
ტიურას.
ინტროდუქცია (ბიოლ.), 1. მცენარის სა-
ხეობებისა და ჯიშების შეტანა ისეთ ქვეყა-
ნაში, სადაც წინათ ისინი არ ხარობდნენ
2. ცხოველთა მოშენება ბუნებრივი არეა-
ლის ფარგლებს გარეთ და მათი შეგუება
ახ. გარემო პირობებთან; ამ გაგებით ტერ-
მინი „O.“ *აკლიმატიზაციის* საწყისი ფა-
ზის სინონიმად იხმარება.
ინტროეიცია (ლათ. intro — შიგნით
და jacio — ვდებ, ვაგდებ) შ ე მ ე ც ნ ე-
ბ ი ს თ ე ო რ ი ა შ ი, ავსტრიელი ფი-
ლოსოფოსის რ. *ავენარიუსის* მიერ შემო-
ღებული ცნება ინდივიდის ცნობიერებაში
აღქმადი სახეების თითქოსდა დაუშვებელი
„ჩადენის“ შესახებ. 2. ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი-
ა შ ი — ინდივიდის მიერ საკუთარ შინაგან
სამყაროში სხვა ადამიანების შეხედულებე-
ბის, მოტივებისა და განწყობილებების
ჩართვა, რაც *იდენტიფიკაციის* საფუძვე-
ლია. O-ის საპირისპიროა *პროექცია.*
ინტროსკოპია (ლათ. intro — შიგნით
და... *სკოპია*), ვიზუალური დაკვირვება
ობიექტებზე, პროცესებსა და მოვლენებ-
ზე, ოპტიკურად გაუმჭვირ სხეულებსა და
გარემოში, აგრეთვე ცუდი ხილვადობის
დროს. O-ის მიზანია მოცემული პარამეტ-
რებიდან გადახრის აღმოჩენა ნაკეთობებში,
სხეულებსა და გარემოში და მათი იდენ-
ტიფიკაცია; გაუმჭვირსა და ნახევრად გამ-
ჭვირვალე გარემოში მიმდინარე მოვლენე-
ბისა და პროცესების გამოკვლევა.
O-ის ზოგიერთი მეთოდი, რ-საც მასა-
ლისა და სამრეწვ. ნაკეთობათა ურღვევი
კონტროლისათვის იყენებენ, *დეფექტო-
სკოპიის,* კერძოდ, რენტგენოსკოპიის მე-
თოდების მსგავსია. O. მიმდინარეობს შემ-
ღწევი გამოსხივებისა და რომელიმე ველის
სიერცითი განაწილების ვიზუალიზაციის
ხერხების მეშვეობით. მაგ., გ ა მ ა-რ ე ნ ტ-
გ ე ნ უ ლ ი O. ემყარება გამა- და რენტ-
გენულ გამოსხივებას. ი ნ ფ რ ა წ ი თ ე-
ლ ი O. დაფუძნებულია მრავალი ნივთიე-
რების მიერ ინფრაწითელი სხივების
შთანთქმისა და არეკვლის თვისებაზე.
მაგნ. ან ელექტრული ველის განაწი-
ლების უ შ უ ა ლ ო დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს
მეთოდები მაგნ.-ოპტ. მოვლენებს ემყარე-
ბა(იხ. *ფარადეის ეფექტი, კერის ეფექტი*).
ულ ტ რ ა ბ გ ე რ ი თ ი O. კი ლითონ-
ში, პლასტმასაში, სამშენებლო მასალასა
და ოპტიკურად გაუმჭვირ სითხეებში ულტ-
რაბგერების შეღწევის თვისებაზეა დამყა-
რებული. რ ა დ ი ო ი ნ ტ რ ო ს კ ო პ ი-
ა შ ი შემღწევ გამოსხივებად იყენებენ
ელექტრომაგნ. ტალღებს (სიგრძე — *მმ*
ნაწილებიდან რამდენიმე *მ*-მდე). ძალიან
მცირე ზომის ობიექტთა გამოსახულება
უმეტესად მილიმეტრიანი ან სანტიმეტრია-
ნი დიაპაზონის რადიოტალღებით მიიღე-
ბა.
ინტრუზია (გვიანდ. ლათ. intrusio,
<ლათ. intrudo — შევაგდებ), 1. დედა-
მიწის ქერქში მაგმის შეჭრის პროცე-
სი, რის შედეგადაც წარმოიქმნება *ინტ-
რუზიული ქანები.* 2. დედამიწის ქერქში
მაგმის გაცივებისა და კრისტალიზაციის
შედეგად წარმოქმნილი მაგმური სხეული—
ი ნ ტ რ უ ზ ი ვ ი. გარემომცველი ქანე-
ბის სტრუქტურასთან დამოკიდებულების
მიხედვით განარჩევენ თანხმობით (კონკორ-
დანტულ) ინსტრუზიებს — მაგ., ლაკო-
ლითი, ლოპოლითი, ფაკოლითი, სილი
(შრეინტრუზივი) და უთანხმო (დისკორ-
დანტულ) ინტრუზიებს — მაგ., შტოკი,
დაიკი. *დ. შენგელია.*
ინტრუზიული ქანები, ს ი ღ რ მ ი ს
ქ ა ნ ე ბ ი, მაგმური ქანები, რ-ებიც წარ-
მოიქმნება მაგმური მდნარის დედამიწის
ქერქის სიღრმეში გაცივების შედეგად. O.
ძ-ს უპირისპირებენ ეფუზიურ ქანებს (იხ.
ეფუზიური ქანები), რ-ებიც წარმოიქმნება
დედამიწის ზედაპირზე ლავის ამონთხევი-
სა და გაცივების შედეგად.
ინტუბაცია (ლათ. in— -ში, შიგნით და
tuba — მილი), ხორხის მწვავე სტენოზის
(ხორხის დიფტერია, დამწვრობა, ხორ-
ხის შეშუპება და სხვ.) დროს, როცა
ავადმყოფის დახრჩობის საშიშროებაა,
პირდან ხორხში სპეც. მილის ჩადგმა სუნთ-

ქვის აღსადგენად. ზოგჯერ მიმართავენ *ტრაქეოტომიის* მაგიერ.

ინტუიტივიზმი, იდეალისტური ფილოსოფიის მიმდინარეობა, რ-ის მიხედვით შემეცნების მთავარი საშუალება ინტუიციაა. იგი ჯერ კიდევ ანტ. ფილოსოფიაში ჩაისახა, დამოუკიდებელი სახით კი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში ი. არსებითად რეაქცია იყო ახ. დროის ბურჟ. ფილოსოფიაში დისკურსიული აზროვნების პრინციპის ფართო გავრცელების წინააღმდეგ. ამ პერიოდის ი. პოზიტივიზმის არტახებისაგან ფილოს. განთავისუფლების არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიას შეიცავდა. შეიძლება განვასხვავოთ ი-ის 2 მიმართულება: ანტიინტელექტუალისტური (სიცოცხლის ფილოსოფია), რ-იც ერთმანეთს უპირისპირებს ინტუიციასა და ინტელექტს, და ი., რ-იც მათ გაერთიანებას ცდილობს (ნ. ლოსკი, ს. ფრანკი, ჟ. მარიტენი და სხვ.).

ი-ის ყველა ნაირსახეობის კრიტიკას გვაძლევს დიალექტ. მატერიალიზმი, რ-ის მიხედვით ინტუიცია არის ადამიანური შემეცნების ერთ-ერთი მომენტი და არა დამოუკიდებელი უნარი.

ლიტ. იხ. სტატიებთან: ინტუიცია, ირაციონალიზმი, ფენომენოლოგია.

ინტუიცია (გვიანდ. ლათ. intuitio< ლათ. intueor — დაჟინებით ცქერა), ჭეშმარიტების წვდომა უშუალოდ, დასაბუთების გარეშე. ფილოს. ისტორიაში ი-ის ცნებას სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა: 1. ი., როგორც უშუალო ინტელექტუალური ცოდნა, ანუ გონებით განჭვრეტა (მაგ., ინტელექტუალური ი. *პლატონის* ფილოსოფიაში); 2. გრძნობადი განჭვრეტის ი. (ლ. ფოიერბახი); 3. ინსტინქტის ი. (ა. ბერგსონი), 4. შემოქმედების ფარული პირველპრინციპის ი. (ზ. ფროიდი) და სხვ.

თანამედროვე ბურჟ. ფილოს. ზოგიერთი ნაირსახეობა ი-ს აიგივებს ღვთაებრივ გამოცხადებასა და პრაქტიკასთან შეუთავსებელ არაცნობიერ პროცესთან (ინტუიტივიზმი).

მარქსისტულ ფილოსოფიას მიაჩნია, რომ ი-ის ცნება შეიცავს რაციონალურ მარცვალს, რომ იგი გამოხატავს შემეცნებაში უშუალობის მომენტს: შემეცნების ყოველი ეტაპი ლოგიკურად და ფაქტობრივად ყოველთვის დასაბუთების გზით არ ხორციელდება. ხშირად სუბიექტი იჩენს სიტუაციის აზრობრივი წვდომის უნარს, რაც წინასწარხედვაში ვლინდება. ზოგჯერ ი. სცილდება კვლევა-ძიების დადგენილი წესებისა და მეთოდების ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის ქვეცნობიერი ან ზეცნობიერი აქტი. ი. არის აზროვნების თავისებური ტიპი, რ-ის დროს შემეცნების ზოგიერთი მომენტი მეტ-ნაკლებად არაცნობიერადაა გადატანილი ცნობიერებაში. ი. საკმარისია ჭეშმარიტების შესამჩნევად, მაგრამ არასაკმარისია მასში დარწმუნებისათვის. საამისოდ აუცილებელია დასაბუთება.

ლიტ.: ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954; Асмус В. Ф., Проблема интуиции в философии и математике, 2 изд., М., 1965.

ინტუიციონიზმი მათემატიკაში, მიმართულება მათემატიკის ფილოსოფიაში, რ-ის თანახმად მათემატიკის კვლევის საგანია ჩვენი აზროვნების კონსტრუქციები, ხოლო მათი სიზუსტის ერთადერთი საზომი — ინტუიცია. ი-ის მიხედვით, მათ. დებულებები გამოხატავს გარკვეული აზროვნებითი კონსტრუქციების განხორციელების შესაძლებლობას ჩვენი შემეცნებისაგან დამოუკიდებლად არსებობის ფაქტის გაუთვალისწინებლად. მათ. ობიექტების ამგვარი განმარტება იწვევს მათ. გარკვეული პრინციპებისა და მეთოდების უკუგდებას. ასე აგებულ მათემატიკას უწოდებენ ინტუიციონისტურს. მათემატიკაში ი-ის ფუძემდებელია ჰოლანდ. მათემატიკოსი ლ. *ბრაუერი;* თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ჰ. *ვაილი,* ჰ. ფროიდენტალი, ა. ჰეიტინგი და სხვ.

ლიტ.: Вейль Г., О философии математики. Сб. работ, пер. с нем., М.—Л., 1934; Гейтинг А., Интуиционизм, пер. с англ., М., 1965.

ინტუიციონისტური ლოგიკა, *ინტუიციონიზმის* პრინციპების მიხედვით აგებული არაკლასიკური ლოგიკა. ი. ლ. სწავლობს მხოლოდ მათ. დებულებების დედუქციურ დამოკიდებულებას. ი. ლ-ში *მაკავშირებლებისა* და *კვანტორების* აზრი განიმარტება იმ ობიექტების აგების პრინციპული შესაძლებლობის მიხედვით, რ-ებზეც ლაპარაკია მათგან შედგენილ დებულებებში. დავუშვათ, რომ A არის დებულება: „2-ზე მეტი ყველა ლუწი რიცხვი წარმოვადგენოთ როგორც ორი მარტივი რიცხვის ჯამი". ვინაიდან ასეთი რიცხვები უსასრულოდაა და სათითაოდ ვერ გადაისინჯება, ასეთი წარმოდგენადობის აგების ზოგადი მეთოდი კი დღესდღეობით ცნობილი არ არის, ამიტომ ინტუიციონისტურად არც A არის ჭეშმარიტი და არც $\neg A$. მაშ, $A \vee \neg A$ დებულების არცერთი დისიუნქტი და არც მთლიანად დისიუნქცია არ არის ჭეშმარიტი. A დებულებაში მითითებული ლუწი რიცხვები ზემოდანაც რომ ყოფილიყო შემოსაზღვრული, ამ კერძო შემთხვევაში $A \vee \neg A$ ინტუიციონისტურად ჭეშმარიტი იქნებოდა.

მ. ბეჟანიშვილი.

ინულინი, $(C_6H_{10}O_5)n$, *პოლისაქარიდების* ჯგუფის ორგანული ნივთიერება, D-ფრუქტოზის პოლიმერი. თეთრი ფხვნილია, ადვილად იხსნება ცხელ წყალში. მოლ. მასა 5000—6000. აქვს ტკბილი გემო. ჰიდროლიზის შედეგად წარმოქმნის D-ფრუქტოზას. ი-ის მოლეკულა ფრუქტოფურანოზას 30—36 ნაშთისაგან შედგება. სახამებლის მსგავსი სამარაგო ნახშირწყალია. გვხვდება მრავალ მცენარეში, განსაკუთრებით ბევრია რთულყვავილოვანთა (ვარდკაჭაჭა, მიწვავაშლა და სხვ.) ბორგლებსა და ფესვებში. მედიცინაში იხმარება დიაბეტის დროს შაქრისა და სახამებლის შემცვლელად.

ინფანტერია (მოძველებული იტალ. infanteria<infante — ახალგაზრდა, ქვეითი ჯარისკაცი), ქვეითი ჯარის სახელწოდება ზოგიერთ საზღვარგარეთის ქვეყანაში. XVIII—XX სს. დასაწყისში რუსეთში ტერმინი „ი." ოფიც. დოკუმენტებში ხშირად იხმარებოდა ქვეითი ჯარის მნიშვნელობით (მაგ., ი-ის გენერალი).

ინფანტი (ესპ. და პორტუგ. infante<, ლათ. infans — ჭაბუკი, ბავშვი), ესპანეთში და პორტუგალიაში უფლისწულთა (პრინცების) ტიტული; მეფის ასულს (პრინცესას) ინფანტას (infanta) უწოდებდნენ.

ინფანტილიზმი (ლათ. infantilis — სა-ბავშვო), ორგანიზმის განვითარების შეფერხება — ზრდადასრულებულ ადამიანში ბავშვური ფიზ. და ფსიქ. თვისებების შემორჩენა. ი-ის მიზეზი შეიძლება იყოს ინფექციური დაავადება (ტუბერკულოზი, ათაშანგი, მალარია, განმეორებითი ინფექცია), ინტოქსიკაცია, ტვინის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის, თირკმლების დაავადებანი, კუჭ-ნაწლავის ხანგრძლივი აშლილობა, აგრეთვე არასრულფასოვანი კვება, ავიტამინოზი და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები; დიდი მნიშვნელობა აქვს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაზიანებას და ადამიანის კონსტ. თავისებურებებს. განარჩევენ საერთო (მთელი ორგანიზმის) და ნაწილობრივ ი-ს. საერთო ი-ის დროს სხეულის პროპორციები ხშირად ბავშვისა რჩება, დამახასიათებელია სუსტი და ნაზი აგებულება, გრძელი და ვიწრო გულმკერდი, წვრილი ძვლები, პატარა გული, დაბალი სისხლის წნევა, სუსტად ჯამოხატული მეორეული სასქესო ნიშნები; ორგანიზმს ინფექციური დაავადებისადმი წინააღმდეგობის უნარი დაქვეითებული აქვს. ნაწილობრივი ი-ის დროს განვითარებული რჩება ცალკეული სისტემები და ორგანოები (მაგ., ფსიქ. და სქესობრივი ი.).

მკურნალობა: ხელსაყრელი ჰიგიენური პირობების შექმნა, სრულფასოვანი კვება, ფიზკულტურა, ი-ის გამოვნევი დაავადების მკურნალობა, ჰორმონული პრეპარატები. ზოგჯერ მიზანშეწონილია ბავშვის მოთავსება სპეც. სამკურნ.-ჰედ. დაწესებულებაში.

ინფარქტი (ლათ. infarcio — ვაესებ), სისხლის მომარაგების შეწყვეტის შედეგად ორგანოსა ან ქსოვილში მკვდარი (ნეკროზული) კერის გაჩენა. ი-ის უშუალო მიზეზებია *თრომბოზი, ემბოლია* ან მკვებავი არტერიის სპაზმი; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს *ჰიპოქსიას.* განარჩევენ თეთრ ანუ იშემიურ (სისხლისგან დაცლილ) და წითელ ანუ ჰემორაგიულ (სისხლით გაჟღენთილ) ი-ს. თეთრი ი. უმეტესად ვითარდება გულში, თირკმლებში და ელენთაში, წითელი — ფილტვებსა და კუჭ-ნაწლავში. ფორმის მიხედვით ი. შეიძლება იყოს კონუსისებრი (თირკმელში, ფილტვში) ან უსწორმასწორო (გულში, ტვინში), კონსისტენციის მიხედვით — მშრალი (*გულის კუნთის ინფარქტი*) ან სველი (ტვინის ი.). ი-ის დანეკროზებული მასა შეიწოვება ან ხდება მისი ორგანიზება, რის შედეგადაც წარმოიქმნება ცისტა (მაგ., თავის ტვინში) ან ნაწიბური (მაგ., გულის კუნთში). ი. შეიძლება დაჩირქდეს და გაიხსნას (სეპტიკური ი.). ორგანოს ფუნქციის შესუსტება ან სრული მოშლა დამოკიდებულია ი-ის სიდიდეზე, ლოკალიზაციაზე და სხვა თავისებურებებზე.

ინფელდი (Infeld) ლეოპოლდ (20. VIII. 1898, კრაკოვი, — 15. I. 1968, ვარშავა), პოლონელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, პოლ. მეცნ. აკად. წევრი (1952). დაამთავრა იაგელოს უნ-ტი კრაკოვში (1921). 1933—35 მუშაობდა კემბრიჯში, 1936—38 — პრინსტონის უნ-ტში ა. *აინშტაინთან.* 1939 იდან ტორონტოს უნ-ტის პროფესორი, 1950-იდან, პოლონეთში დაბრუნების შემდეგ, ვარშავის უნ-ტის პროფესორი. ძირითადი შრომები ეხება თეორიულ ფიზიკას. ავტორია რამდენიმე მოთხრობისა (მ. შ. წიგნისა ე. *გალუას* შესახებ (1948 ქართ. თარგმ. 1965).

ინფექცია (გვიანდ. ლათ. infectio — დასნებოვნება), პათოგენური პარაზიტის შეჭრა ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში და მისი დასნებოვნება. ორგანიზმში შეჭრისთანავე ი-ის გამომწვევი იბუდებს გარკვეულ ორგანოებსა და ქსოვილებში. შეჭრილ პარაზიტსა და „მასპინძლის" ორგანიზმს შორის მყარდება რთული ურთიერთზემოქმედება— ინფექციური პროცესი, რ-იც მოიცავს გამომწვევის არსებობისა ახ. პირობებთან შეგუებას, გამრავლებას, პროცესის დისემინაციას, მეტასტაზების გაჩენას, დაავადებული ორგანიზმის ინტოქსიკაციას და სხვ. ი. ვლინდება დაავადების მწვავე ან ქრონ. ფორმით ანდა ინფექციის მატარებლობით. ი-ის ფორმა და მოკიდებულია გამომწვევის თვისებებზე-ვირულენტობაზე, ეგზო- და ენდოტოქსინების გამომუშავების უნარზე, შეჭრილ გამომწვევების რაოდენობაზე და სხვ. დიდ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორგანიზმის მდგომარეობას, მის ამთვისებლობის უნარს ან ამა თუ იმ დაავადებისადმი მიდრეკილებას. ზოგიერთი გამომწვევის ორგანიზმში დაბუდება არ იწვევს პათოლ. პროცესის განვითარებას. ასეთ გამომწვევებს პირობით პათოგენურს უწოდებენ. მათ დიდი ხნის მანძილზე შეუძლიათ უსიმპტომოდ იარსებონ კანისა და ლორწოვანი გარსების ზედაპირზე, კუჭ-ნაწლავში და სხვ., ვიდრე ტრავმა, გაცივება ან სხვა ხელშემწყობი ფაქტორი არ შეუქმნის სათანადო პირობებს მაავადებელი თვისებების გამოსავლენად.

ი-ის წყაროა დაავადებული ან ბაქტე-
ამატარებელი ადამიანი ან ცხოველი.
ველ ინფექციურ დაავადებას გადაცემის
კუთარი მექანიზმი აქვს. კუჭ-ნაწლავის
ფექციების (დიზენტერია, მუცლის ტიფი
სხვ.) დროს გამომწვევი გამოიყოფა გა-
ვალთან ან შარდთან ერთად და შემდეგ
დება ჯანმრთელი ადამიანის საჭმლის
ბნელებელ ტრაქტში; სასუნთქი გზების
ფექციურ დაავადებათა დროს გამომწვე-
ლორწოს წვეთებთან ერთად გამოიყოფა
პარაკის, ცხვირისცემინების, ხველების
ოს და ჰაერის ჩასუნთქისას ხვდება ჯან-
თელი ადამიანის ორგანიზმში (გადაცე-
ა წვეთოვანი მექანიზმი); პარტახტიანი
ფის, მალარიის და ზოგიერთი სხვა და-
ადებასას გამომწვევი გადააქვთ სისხლ-
უწნავ მწერებს (ტილი, კოღო, რწყი-
ა), რ-ებიც ჯერ დაავადებულ, შემდეგ კი
ნმრთელ ორგანიზმზე პარაზიტობენ. სო-
ვანი, კანისა და ვენერული დაავადებები
ნმრთელ ადამიანს ავადმყოფისაგან მჭი-
ო, უშუალო კონტაქტის დროს გადაეცე-
ი-ის გადაცემის მექანიზმის ცოდნას დი-
მნიშვნელობა აქვს ინფექციურ დაავა-
ბათა პროფილაქტიკისათვის.

ფექციური ანემია ცხენისა, ინ-
ქციური დაავადება, რ-ისთვისაც დამახა-
ათებელია მუდმივი ან ხანგამოშვებითი
ებ-ცხელება, ანემია, გულსისხლძარღვ-
სისტემის დაზიანება და ორგანიზმში
რუსის ხანგრძლივად ყოფნა. გავრცელე-
ლია ბევრ ქვეყანაში. ეპიზოოტია უმე-
სად ზაფხულში და შემოდგომაზე აღინიშ-
ა. დაავადების გავრცელების მთავარი
ქტორი მწერებია. საინკუბაციო პერიო-
ა 5—90 დღე. ახასიათებს მუდმივი ან
მისიული ტიპის ცხელება, ტემპ-რა 41—
°, ანემია, სისუსტე, გულის მუშაობის
შლა. ერითროციტების შემცირება 1—3
ნ-მდე, ჰემოგლობინისა — 20—30%-მდე,
ავადების ფორმებია ელვისებრი, მწვა-
ქვემწვავე, ქრონიკული, ფარული. მწვა-
ფორმის დროს სიკვდილის შემთხვევები
—80%-ს აღწევს. ბრძოლის ღო-
სძიებანი: მკაცრი კარანტინი, და-
ადებული ცხოველების იზოლაცია, ზოგ-
რ მოსპობა. მბორისა და ნაკელის გაუვ-
ელება, დეზინფექცია, დეზინსექცია.

ნ. ლეკვეიშვილი.

ფექციური დაავადებანი, გადამ-
ები დაავადებანი, ორგანიზ-
ი მაავადებელი აგენტის შეჭრით გამო-
ული დაავადებანი, რ-თა საერთო ძი-
თადი ნიშანი ის არის, რომ დაავადება
დმყოფის ან ინფექციამატარებლისაგან
ძლება გადაედოს ჯანმრთელ ადამიანს.
დ. იმით განსხვავდება არაინფექციური
ავადებებისაგან, რომ ი. დ-თა დროს რო-
რც ორგანიზმს, ისე მაავადებელ აგენტს
ს გარკვეული ბიოლ. აქტივობა. პათო-
ური მიკროორგანიზმის მოქმედების შე-
ვად ვითარდება რთული პროცესი, რ-ის
ვისებურებებს განსაზღვრავს დაავადე-
ს გამომწვევი და ორგანიზმის ფიზიოლ.
კომარეობა. ინფექციის წყაროა შეიძლე-
იყოს ავადმყოფი, გამოჯანმრთელებუ-
ადამიანი (რ-იც რამდენიმე კვირის მან-
ულზე კიდევ გამოყოფს დაავადების გამომ-
ვებს, მაგ., დიფთერიის, კუჭ-ნაწლავის
ფექციის და სხვ. დროს) და ინფექციის
ატარებელი. ი. დ-თა დროს პათოლ. პრო-
ი ჩვეულებრივ კანონზომიერად ვი-
რდება და გამოიყოფა შემდეგი ეტაპები;
ანებოვნების მომენტი, ე. ი. დაავადე-
ს გამომწვევის შეჭრა ორგანიზმში; ფა-
ული (ლატენტური) ანუ ინკუბაციური პე-
ოდი — დასნებოვნების მომენტიდან და-
ადების პირველი სიმპტომების გამოვლე-
დე; წინამორბედების (პროდრომული)
ერიოდი, რ-საც თან ახლავს საერთო სი-
ტე, უგუნებობა, თავის ტკივილი, ტემპ-
ა უმნიშვნელო მომატება და სხვ.; და-
ადების განვითარების პერიოდი — დაავა-
ების დამახასიათებელი ნიშნების გამოვ-
ნა; დაავადების სრული სურათის ჩამო-
ყალიბების პერიოდი; დაავადების ჩამთავ-
რების პერიოდი, როდესაც თანდათანობით
(ლიზისი) ან უეცრად (კრიზისი) ეცემა სხე-
ულის ტემპ-რა და ქრება კლინიკური ნიშ-
ნები; გამოჯანსაღების (რეკონვალესცენ-
ციის) პერიოდი. ი. დ-თა გადატანის შემ-
დეგ უმეტეს შემთხვევაში ვითარდება *იმუ-
ნიტეტი.*

ი. დ-თა რაციონალური მკურნალობა
დაავადების გამომწვევზე ზემოქმედებასა
და მის მიერ გამოყოფილი ტოქსინების
ნეიტრალიზაციას გულისხმობს. სპეციფ.
მკურნალობა ჯერჯერობით შემუშავებუ-
ლია მხოლოდ ზოგიერთი დაავადებისათ-
ვის (*მალარია, მუცლის ტიფი, შებრუნე-
ბითი ტიფი, დიფთერია, ათამანგი*) და
ქიმიოთერაპიის, ვაქცინოთერაპიის, სერო-
თერაპიის, ფაგოთერაპიის მეთოდებით
ტარდება. ფართოდ იყენებენ ანტიბიოტი-
კებს, სიმპტომატურ მკურნალობას და სხვ.
მკურნალობა უნდა ტარდებოდეს ეპიდსა-
წინააღმდეგო ღონისძიებებთან (მიმდინა-
რე და საბოლოო დეზინფექცია, მომვლე-
ლი პერსონალის ვაქცინაცია) ერთად; დი-
დი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მოვ-
ლას, მის პირად ჰიგიენას, რაციონალურ
კვებას და სხვ. მკურნალობის ახ. მეთოდე-
ბის შემოღებასთან დაკავშირებით, ი.
დ-ით გამოწვეული სიკვდილიანობა საგრ-
ძნობლად შემცირდა; მაგ., თუ წინათ ეპი-
დემიური მენინგიტი შემთხვევათა 50%—
60%-ში იწვევდა სიკვდილს, ახლა ეს მაწ-
ევებელი მინიმუმამდე შემცირდა.

სოციალ. წყობილება ყველა პირობას
ქმნის ი. დ-თან სამედ. და სოც.-ეკონ. ბრძო-
ლის ღონისძიებების გასაფართოებლად.
სსრკ-ში ლიკვიდირებულია შავი ჭირით,
ყვავილით დაავადება, დიფთერიის, პარ-
ტახტიანი ტიფის ეპიდემიები, საგრძნობ-
ლად შემცირდა მუცლის ტიფით, ქუნთრუ-
შით ავადობა და სხვ.

ლიტ.: Давыдовский И. В., Учение об инфекции, М., 1956.

ინფექციური ალევროვანეემონია თხ-
ისა, თხის ინფექციური დაავადება, რ-ის-
თვისაც ძირითადად დამახასიათებელია
ფილტვების კრუპოზული ანთება და პლევ-
რიტი. დაავადება პირველად აღწერეს ალ-
ჟირში 1873. მისი გამომწვევია მიკოპლაზ-
მა. მძიმედ ავადდება მოზარდეული.
ინფექციის აღმძვრელის წყაროა დაავადე-
ბული თხა. დაავადების გამომწვევი ორ-
განიზმში ხვდება სასუნთქი გზების მეშ-
ვეობით. ფარული პერიოდია 5—20 დღე.
პროფილაქტიკა და ბრძო-
ლის ღონისძიებანი: მეურნეობ-
ის კარანტინი, დაავადებული თხების და-
კვლა, საშიშ ზონაში ყველა ცხოველის
ვაქცინაცია.

ინფექციური რინოტრაქეიტი მსხვი-
ლი რქოსანი საქონლისა, მსხვი-
ლი რქოსანი საქონლის კონტაგიოზური
ვირუსული დაავადება. იწვევს ცხოველის
საერთო დათრგუნვას, სასუნთქი გზების
ლორწოვანი გარსების ანთებას (რესპირა-
ციული ფორმა) და სასქესო გზების ბუშ-
ტუკოვანი ანთების განვითარებას (ვაგინა-
ლური ფორმა). მაკეობის III პერიოდში
ხშირია აბორტი, დაავადების გართულე-
ბის დროს — პნევმონია და ბრონქოპნევ-
მონია. ი. რ. ფართოდაა გავრცელებული
ამერ., ევრ. და ოკეანეთის ქვეყნებში. სსრკ-
ში დაავადება რეგისტრირებულია საზ-
ღვარგარეთიდან შემოყვანილ ცხოველებში
(1969). დაავადებისაგან გამოწვეული ეკონ.
ზარალი დაკავშირებულია ხორცისა და
რძის პროდუქტიულობის დაქვეითებასთან,
აგრეთვე ცხოველთა სიკვდილიანობასთან
(50%-მდე). ადვილად ავადდება ერთ წელ-
ზე მეტი ასაკის მოზარდეული. დასენიანება
ხდება უმთავრესად სასუნთქი და სასქესო
გზებით. დაავადების გავრცელებას ხელს
უწყობს საქონლის ერთად თავშეყრა და
თავისუფალი დაგრილება. დაავადების ძი-
რითადი ნიშნებია გამონაყოფი ცხვირიდან
და საშოდან, ხველება, ძლიერი ნერწყვის
დენა. დიაგნოზს ადგენენ კლინიკური, ეპი-
ზოოტოლოგიური და ვირუსოლოგიური გა-
მოკვლევების საფუძველზე. სპეც. მკურნა-
ლობა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.
პროფილაქტიკა და ბრძოლის
ღონისძიებანი: ვაქცინაცია, კარა-
ნტინი, დეზინფექცია.

გ. ლეფავა.

ინფილტრატი (ლათ. in— -ში და filtratus — გაწურული), უჯრედოვანი ელემენ-
ტების, სისხლისა და ლიმფის დაგროვება
ორგანიზმის ქსოვილებში. უმეტესად გვხვ-
დება ანთებითი და სიმსივნური ი. ანთე-
ბითი ი. ძირითადად შედგება პოლი-
მორფულ-ბირთვიანი ლეიკოციტებისაგან
(ჩირქოვანი ი.), ერითროციტებისაგან (ჰე-
მორაგიული ი.), ლიმფოიდური უჯრედე-
ბისაგან (მრგვალუჯრედოვანი ი.), ჰის-
ტიოციტებისა და პლაზმური უჯრედებისა-
გან (ჰისტიოციტურ-პლაზმურუჯრედოვა-
ნი ი.) და სხვ. ი. შეიძლება შეიწოვოს, გა-
იხსნას ან გამკვრივდეს შემაერთებელი
ქსოვილის გაზრდის გამო (*სკლეროზი*).
სიმსივნური ი. სიმსივნური უჯრე-
დებისაგან შედგება და წარმოადგენს სიმ-
სივნის ინფილტრაციული ზრდის გამოვლე-
ნას. ზოგჯერ ი. მტკივნეულია. ქირურგ.
პრაქტიკაში უწოდებენ ქსოვილთა გამკვრი-
ვებას საანესთეზიო ხსნარებით მათი გაჟ-
ღენთვის გამო.

ინფინიტივი (ლათ. infinitivus — განუ-
საზღვრელი), ზმნის განუსაზღვრელი ფორ-
მა. აღნიშნავს განზოგადებულ მოქმედებას
პირზე, რიცხვზე და (ენათა უმრავლესობა-
ში) ზმნის სხვა კატეგორიებზე მითითებ-
ის გარეშე. გენეტურად ი. ნაზმნარი არ-
სებითი სახელია და მის ერთ-ერთ ბრუნვის
ფორმას უკავშირდება. ახ. ქართულში ი.
არ არის. მასთან მნიშვნელობით ახლოს
დგას ნაზმნარი არსებითი სახელი — მასდა-
რი, საწყისი. ძვ. ქართულში დადასტურე-
ბულია ი-ის თავისებური სახეობა — ნაზ-
მნარი არსებითი სახელის ვითარებითი
ბრუნვა, რ-იც არასინტაქსურ ოდენობას
წარმოადგენდა, იხმარებოდა სხვა ენათა
ი-ის პოზიციებში და ი-ის ფუნქციით
(ისწრაფდა განკურნებად, შდრ. ისწრაფ-
და განკურნებასა), რაც მთავარია, ჰეონ-
და ობიექტის მართვის უნარი: ისწრაფდა
განკურნებად მოყუასსა..., უბრძანა აღ-
მოცენებად წყალი.

ინფიქსი (ლათ. infixus — ჩადგმული,
ჩასმული), სიტყვის ძირში ჩასმული აფი-
ქსი.

ინფლაცია (ლათ. inflatio — გაბერვა),
ჭარბი ქაღალდის ფულით მიმოქცევის
არსების გავსება, რაც იწვევს მათ გაუფა-
სურებასა და საზ. პროდუქტის გადანაწი-
ლებას გაბატონებული კლასების სასარგებ-
ლოდ.

ბურჟ. სახელმწიფო ი-ს იყენებს უმეტე-
სად საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად.
იგი ეროვნ. შემოსავლის მითვისების იოლი
საშუალებაა, რადგან შენიღბული ხასიათი
აქვს. ი. იწვევს ფულადი მიმოქცევის კანო-
ნის დარღვევას, და ამის შედეგად, ქაღალ-
დის ფულის გაუფასურებას ოქროსა და სა-
ქონელთან შედარებით. საქონლის ფასე-
ბის ზრდისა და ფულის მსყიდველობითი
ძალის შემცირების პირობებში ოქროზე
წარმოიშობა *ლაჟი,* რაც ნიშნავს ოქროს
საბაზრო ფასის გადიდებას ქაღალდის
ფულის ნიშნების რაოდენობასთან შეფარ-
დებით. ლაჟს ანგარიშობენ პროცენტობით.
ამავე პირობებში ქაღალდის ფულზე წარ-
მოიშობა დიზაჟიო (იხ. *აჟიო*) ანუ ნომი-
ნალურ ღირებულებასთან შედარებით ფა-
სიანი ქაღალდებისა და ფულის ნიშნების
კურსის საბირჟო გადახრა შემცირებისაკენ.
ი-ს მოსდევს უცხ. ვალუტის კურსის გადი-
დება.

ანსხვავებენ მცოცავ ი-სა და ჭეშებითს
ი-ს. მცოცავი ი. ეწოდება ქაღალდის ფუ-
ლის ისეთ გაუფასურებას, რ-იც ნელა, შე-
დარებით შეუმჩნევლად მიმდინარეობს. ჭეშ-
ებითი ი. ეწოდება ქაღალდის ფულის
სწრაფი ტემპით გაუფასურებას. ბურჟ.



ინულინი.

ეკონომისტები უფრო მეტად მცოცავ ი-ს უჭერენ მხარს, რ-იც კაპიტალისტებს შესაძლებლობას აძლევს შედარებით შეუმჩნევლად გაზარდონ საქონლის ფასები და გაზარდონ მოგება მშრომელთა რეალური შემოსავლის შემცირების ხარჯზე. ი. შესაძლებელს ხდის გატარდეს სავალუტო *დემპინგი*. ი. ხელს უწყობს და აფართოებს ბირჟისა და ბანკების სპეკულაციას. მას კაპიტალ. სახელმწიფოებისათვის მოაქვს უარყოფითი შედეგები. განსაკუთრებით ეს ეხება ჭენებითს ი-ს. ის იწვევს კაპიტალ. მეურნ. ქაოსს და ბურჟ. საზ-ბის ყველა წინააღმდეგობის გამწვავებას, აფერხებს კაპიტალ. აღწარმოებას. ქაღალდის ფული ვეღარ ასრულებს თავის ფუნქციებს, მიმოქცევის პროცესს ვერ ემსახურება. ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია ფულად ფორმაში კაპიტალისტებისათვის არახელსაყრელი ხდება. ი. უარყოფითად მოქმედებს სახელმწ. ბიუჯეტის შემოსავალზე. მართალია, ქაღალდის ფულის ემისია შემოსავალს აძლევს ბიუჯეტს, მაგრამ ფულის გაუფასურების გამო მცირდება გადასახადებიდან და სახელმწიფო სესხიდან მიღებული შემოსავლის რეალური სიდიდე და, მაშასადამე, ბიუჯეტის რეალური შემოსავალი. ი. უარყოფითად მოქმედებს კრედიტზეც.

სოციალიზმის დროს მიმოქცევაში საჭირო ფულის რაოდენობა დადგენილია გეგმაზომიერად, რაც გამორიცხავს მიმოქცევის არხების გავსებას ჭარბი ქაღალდის ფულით. თუმცა ცალკეულ მომენტში შეიძლება, მიმოქცევაში ჭარბი ფული გაჩნდეს (ამის მიზეზები შეიძლება იყოს ომი, გეგმების შეუსრულებლობა, შეცდომები დაგეგმვაში და სხვ.), რაც ფულადი რეფორმის გატარების ან დაგეგმვაში კორექტირების შეტანის შედეგად გამოსწორდება. *ვ. ჩანტლაძე.*

ინფორმატიკა, დისციპლინა, რ-იც შეისწავლის სამეცნიერო ინფორმაციის სტრუქტურას და მის ზოგად თვისებებს, აგრეთვე მისი შექმნის, წარმოდგენის, შეკრების, ანალიზურ-სინთეზური დამუშავების, შენახვის, ძიებისა და გავრცელების ოპტიმალურ მეთოდებსა და საშუალებებს. ი., როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა კიბერნეტიკის, ლოგიკის, ლინგვისტიკის, გამოთვლითი ტექნიკის, სემიოტიკის, ფსიქოლოგიის, პოლიგრაფიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მიჯნაზე. ი. შედგება შემდეგი დარგებისაგან: ინფორმატიკის თეორია, სამეცნიერო კომუნიკაცია, სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის ორგანიზაცია და ისტორია.

ი-ის თეორიის ძირითადი ამოცანაა სამეცნ. ინფორმაციის შექმნის, გარდაქმნის, გადაცემისა და ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში მისი გამოყენების ზოგად კანონზომიერებათა კვლევა. ი-ს საქმე აქვს შინაარსობრივ (სემანტიკურ) ინფორმაციასთან, მაგრამ იგი არ შეისწავლის მისი თვისებრივი შეფასების საკითხებს. ამგვარი შეფასება ცალკეული სამეცნ. დარგის სპეციალისტის ამოცანაა.

სამეცნ. ინფორმაცია არის ლოგიკური ინფორმაცია, რ-იც მიიღება შემეცნების პროცესში, იგი ადეკვატურად ასახავს ობიექტური რეალობის კანონზომიერებებს და გამოიყენება საზ.-ისტ. პრაქტიკაში.

სამეცნ. ინფორმაციის წარმოდგენის, გადაცემისა და მიღების პროცესების ერთობლიობა შეადგენს სამეცნ. კომუნიკაციას. სამეცნ. კომუნიკაციის პროცესში აუცილებლად მონაწილეობენ მეცნიერები ან სპეციალისტები. განარჩევენ „არაფორმალურ" და „ფორმალურ" კომუნიკაციის პროცესებს. „არაფორმალური" პროცესის შემთხვევაში სამეცნ. ინფორმაციის გადაცემა და მიღება ხორციელდება უშუალოდ მეცნიერებს ან სპეციალისტებს შორის.

სამეცნ.-საინფორმაციო მოღვაწეობა წარმოადგენს მეცნ. საქმიანობის დამოუკიდებელ ნაწილს, რ-იც ბუნებრივად გამოიყო თვით მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. მისი ამოცანაა დაინტერესებულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია კვლევის შემდგომი წარმართვისათვის. ამგვარ საქმიანობას ეწევიან სპეც. ინფორმაციული ორგანოები, რ-ებიც იყენებენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექ. მიღწევებს.

ბევრი საკითხი, რ-ებსაც დღეს ი. შეისწავლის, ადრე სხვა დარგების (ბიბლიოთეკათმცოდნეობა, ბიბლიოგრაფია, ლინგვისტიკა და სხვ.) შესწავლის ობიექტი იყო. ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში დაიბადა აზრი, რომ ერთიან დარგად გაერთიანებულიყო სამეცნ. დოკუმენტების შეგროვებასთან, დამუშავებასა და შენახვასთან, ძიებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი. ამ დარგს ბელგ. იურისტმა პ. ოტლენ „დოკუმენტაცია" უწოდა, რ-საც ხშირად ი-ის სინონიმად ხმარობენ. მეცნიერების სწრაფმა ზრდამ და სამეცნ.-ტექ. რევოლუციამ განაპირობა ი-ის, როგორც ახ. დამოუკიდებელი მეცნიერების, განვითარება. XX ს. დასაწყისში იქმნება დოკუმენტაციის დარგში საერთაშ. სამეცნ. ინ-ტი, ხოლო უფრო მოგვიანებით (1938)—დოკუმენტაციის საერთაშ. ფედერაცია. II მსოფლიო ომის შემდეგ დამუშავდა ინფორმაციული ძიების მექანიზაციის საკითხი, შეიქმნა სხვადასხვა საინფორმაციო-საძიებო სისტემები.

სსრკ-ში, სადაც სამეცნ.-ინფორმაციული მოღვაწეობა მეცნიერების და სახ. მეურნ. განვითარებასთან ერთად ყალიბდებოდა, ი. ორგანიზაციულად გაფორმდა 1952, როდესაც შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. სამეცნ. ინფორმაციის ინ-ტი, ამჟამად სამეცნ. და ტექ. ინფორმაციის საკავშ. ინ-ტი. 1969 სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის ერთიანი სახელმწ. სისტემის სრულყოფისა და განვითარების შესახებ.

XX ს. 40-იანი წლებიდან ი-ის დარგში გამოდის ჟურნალები: «Journal of Documentation» (L., 1945-დან), «American Documentation» (Wash., 1950-იდან; 1970-იდან — «Journal of the American Society for Information Science»), «Nachrichten für Dokumentation» (Fr./M., 1950-იდან) და ა. შ. 1961-იდან სსრკ-ში სცემენ ყოველთვიურ კრებულს „Научно-техническая информация".

ინფორმაცია (ლათ. informatio — განმარტება, გადმოცემა), თავდაპირველად—ზეპირი წერილობითი ცნობები. აგრეთვე ამ ცნობათა გადაცემის ან მიღების პროცესი. XX ს-ში სოც. პროგრესის, მეცნ. და ტექ. სწრაფი განვითარების შედეგად გაჩნდა მოზღვავებული ი-ისადმი მეცნ. მიდგომის საჭიროება. დაზუსტდა ი-ის ცნების შინაარსი; ის მოიცავს არა მარტო ადამიანის მიერ ადამიანისათვის ცნობის გადაცემას, არამედ ადამიანსა და ავტომატს, ავტომატსა და ავტომატს შორის ცნობის გაცვლა-გამოცვლასაც. უჯრედიდან უჯრედისათვის, ორგანიზმიდან ორგანიზმისათვის ნიშან-თვისებათა გადაცემას განიხილავენ აგრეთვე როგორც ი-ის გადაცემას (იხ. *გენეტიკური ინფორმაცია*). გარდა ამისა, შემოღებულია ი-ის რაოდენობითი საზომი (კ. შენონის, ა. კოლმოგოროვის შრომებში), რის შედეგადაც შეიქმნა *ინფორმაციის თეორია*.

იხ. სტ. *ინფორმატიკა, ინფორმაცია* საზოგადოებრივ-პოლიტიკური.

ინფორმაცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ცნობათა ერთობლიობა საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური ახალი ამბების შესახებ. ი. ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით.-სოციალ. საზ-ბაში ი. უნდა იყოს ზუსტი და მართებული. სკკპ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელთა ინფორმირების პრობლემებს და პირუკუ—მშრომელთაგან ი-ის მიღებას სახ. მეურნ. და კულტ. ყველა საკითხზე. ბურჟ. პროპაგანდა ი-ს ძირითადად იყენებს მასების დეზინფორმაციისათვის.

ი-ის ფორმებია ცნობა, ქრონიკა, რეპორტაჟი, ინტერვიუ, ანგარიში, ჰიმოხილვა და სხვ. *შ. გაგოშიძე.*

ინფორმაცია კიბერნეტიკაში, კიბერნეტიკის ერთ-ერთი ფართო ცნება, რ-ითაც გადმოცემენ რაიმე ცნობებს, მონაცემების ერთობლიობას, ცოდნას და ა. შ. ი-ის ცნების შესწავლისას აუცილებელია გათვალისწინება ორი ობიექტისა: ი-ის წყაროსი და ი-ის მომხმარებლისა (ადრესატის). წყაროდან მომხარებლამდე ინფორმაცია გადაიცემა სიგნალების საშუალებით. ზოგად შემთხვევაში სიგნალის ფიზ. ბუნება არ განსაზღვრავს გადაცემული ინფორმაციის არსს.

ი-ის შესწავლისას წარმოიქმნება ტექ., სემანტიკური და პრაგმატული ხასიათის პრობლემები. ტექ. შეეხება სიგნალების სიზუსტეს, საიმედოობას, გადაცემის სიჩქარეს და ა. შ., სემანტიკური პრობლემები დაკავშირებულია იმასთან, თუ რო გორ შეიძლება ტექსტის ზუსტი გადაცემ სხვადასხვა კოდის საშუალებით, ხოლო პრაგმატული პრობლემები — ი-ის ეფექტურობასთან. ი. კიბერნეტიკის ერთ-ერთ ძირითადი ცნებაა. ნებისმიერი მართვის პროცესის განხორციელებისას (ტექ. სის ტემებში ან ცოცხალ ორგანიზმებში) საქმე გვაქვს შემავალი ი-ის გადამუშავებასთან გამომავალ ი-დ.

ი-ის შინაარსობრივ მხარეს შეისწავლ დღესდღეობით დამუშავების სტადიაშ მყოფი სემანტიკური ი-ის თეორია.

ლიტ.: Урсул А. Д., Природа ин формации, М., 1968; Шеннон К. Э Работы по теории информации и кибернетике, пер. с англ., М., 1963.

ინფორმაციის თეორია, კიბერნეტიკის დარგი, რ-იც შეისწავლის *ინფორმაციის* შეფასების, გადაცემის, შენახვის, მიღებ და კლასიფიკაციის მათემატიკური აღწერ რის მეთოდებს და საშუალებებს. ი. თ-ში იყენებენ ისეთ მათ. დისციპლინებს, რო გორიცაა *ალბათობის თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, წრფივი ალგებრა, გრაფთა თეორია* და სხვ. ი. თ. ძირითადად იყენებს სტატისტ. მეთოდებს. ეს განპირობებულია იმით, რომ ინფორმაციის მი ღების პროცესის დროს მცირდება განუსაზღვრელობა ობიექტის მდგომარეობის შ სახებ, ხოლო განუსაზღვრელობის ძირ თადი რაოდენობრივი მახასიათებელია ალ ბათობა.

ი. თ-ის ფუძემდებლები არიან ამერ მეცნიერები რ. ჰარტლი და კ. ე. შენონ 1948 კ. შენონმა შემოიღო ინფორმაციი რაოდენობის ზომა, რ-იც განისაზღვრებ შემდეგნაირად: თუ X და Y დისკრეტულ შემთხვევითი სიდიდეებია და $\{p_i\}$, $\{q_i$ $\{p_{ij}\}$, $i = 1,2,\ldots,n$, $j=1,2,\ldots,m$, შ საბამისად, X, Y შემთხვევითი სიდიდ ებისა და (X, Y) წყვილის ალბათობათ განაწილებანია, მაშინ ინფორმაციის რაო დენობა განისაზღვრება $I(X, Y) =$

$$= \sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{m} p_{ij} \log_2 (p_{ij} / p_i q_j),$$

ფორმულით.

$$H(X) = I(X, X) = \sum_{i=1}^{n} p_i \log_2 (1/p_i),$$

ს

დიდეს ეწოდება X შემთხვევითი სიდიდ ენტროპია. ენტროპიისა და ინფორმაციი რაოდენობის ერთეულებს ორობითი ერ თეულები ეწოდება. 1. ორობითი ერთეუ ლის მქონე ენტროპია (1 bit, ინგლ. bi nary digit) აქვს წყაროს ორი ტოლალბ თური შეტყობინებებით. ი. თ-ში დიდ წვლილი მიუძღვით საბჭ. მეცნიერებს კოლმოგოროვს, ა. ხინჩინს, ვ. კოტელნ კოვს, ა. ხარკევიჩს და სხვ.

ლიტ.: Яглом А. М., Яглом И

М., Вероятность и информация, 3 изд., М., 1973.

ინფორმაციის შენახვა, ინფორმაციის ასახვა ინფორმაციის ნივთიერ მატარებელში (ქაღალდი, ფოტოფირი, მაგნ. ლენტი და სხვ.), რ-ის მთავარი მახასიათებელია ი. შ-ის ხანგრძლივობა, მისი ჩაწერისა და წაკითხვის დრო, ინფორმაციის მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობა, შენახვის ღირებულება. ი. შ-ს უზრუნველყოფს აგრეთვე შენახული მონაცემების მნიშვნელობათა კოდირება და დეკოდირება. ი. შ-ის სისტემებია დამხსომებელი მოწყობილობა, მანქანური მატარებლების (მაგნ. ლენტები ან დისკოები, პერფობარათები და პერფოლენტები) არქივები, *საინფორმაციო-საძებნო სისტემები.*

ვ. ჩოგოვაძე.

ინფრაბგერა (<ლათ. infra — დაბლა, ქვეშ), ბგერითი ტალღების ანალოგიური, მაგრამ ადამიანისათვის სმენადი არის სიხშირეებზე ნაკლები სიხშირის დრეკადი ტალღები. ინფრაბგერითი არის ზედა საზღვრად მიღებულია 16—25 *ჰც* სიხშირეები, ქვედა საზღვარი კი განსაზღვრული არ არის. პრაქტიკულად საინტერესოა რხევები, რ-ებიც ჰერცის მეათედ და მეასედ ნაწილს შეადგენენ. ი-ს შეიცავს ატმოსფეროს, ტყის, ზღვის ხმაური. მათი წყაროა ატმოსფეროს ტურბულენტობა და ქარი. ინფრაბგერითი რხევების წყაროა აგრეთვე მეხის განმუხტვა (ქუხილი), აფეთქებები და სხვ.

ი-თვის დამახასიათებელია სხვადასხვა გარემოში მცირე შთანთქმა, რის შედეგადაც ინფრაბგერითი ტალღები ჰაერში, წყალსა და დედამიწის ქერქში შეიძლება დიდ მანძილებზე გავრცელდეს. ამ მოვლენას ფართოდ იყენებენ ძლიერი აფეთქებების ან სასროლი იარაღის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას. დიდ მანძილებზე ი-ის გავრცელება ზღვაზე სტიქიური უბედურების — *ცუნამის* წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა.

ინფრასტრუქტურა (ლათ. infra — დაბლა, ქვეშ და structura — ნაგებობა, განლაგება), მეურნეობის დარგების კომპლექსი (გზატკეცილების, არხების, წყალსაცავების, ხიდების, აეროდრომების, რკინიგზის ტრანსპ., კავშირგაბმულობა და ა. შ.), რ-იც ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ტერმინი „ი.“ ეკონ. ლიტ-რაში XX ს. 40-იანი წწ. დამლევს გაჩნდა. ნასესხებია სამხ. ლექსიკონიდან, სადაც იგი აღნიშნავს ზურგის ნაგებობათა კომპლექსს, რ-იც უზრუნველყოფს შეიარაღებულ ძალთა მოქმედებას.

საბჭ. ეკონ. ლიტ-რაში ი. საწარმოო და არასაწარმოო (სოციალურ) ჯგუფებად იყოფა. საწარმოო ჯგუფს ეკუთვნის ის დარგები, რ-ებიც უშუალოდ მატერ. წარმოებას ემსახურება (რკინიგზები და გზატკეცილები, არხები, წყალსაცავები, ხიდები და სხვ.), სოც. ჯგუფს კი — დარგები, რ-ებიც უშუალოდ არაა დაკავშირებული მატერ. წარმოებასთან (კადრების მომზადება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება და სხვ.).

კაპიტალ. მეურნ. ი. ორგვარი ხასიათისაა. ერთი მხრივ ი-ის დარგების განვითარების გარეშე შეუძლებელია არსებობა სამრეწვ. და სას.-სამ. საწარმოებისა, სადაც **წედმეტი ღირებულება** იქმნება, მეორე მხრივ, ამ დარგების ფუნქციონირებას მოგება არ მოაქვს მათთვის, ვინც უშუალოდ ამ დარგებში აბანდებს კაპიტალს. ი-ის ზოგიერთი დარგი, კერძოდ, მეცნიერება, განათლება, ტრანსპ. დარგები, მეურნ. ელექტროენერგიით მომარაგება და სხვ. საერთაშორისო იმპერიალიზმის კონკურენციის ობიექტი გახდა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ამ დარგებში კაპიტალდაბანდების მოცულობა განაპირობებს წარმოების ზრდას და, მაშასადამე კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვებასაც.

ი-ის ორგვარმა ხასიათმა განაპირობა მისი სოც. შინაარსის წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფო - მონოპ. კაპიტალიზმის განვითარებამ ი-ის დარგების დაფინანსებისა და განვითარების მთელი ტვირთი სახელმწ. ბიუჯეტს დააკისრა, ე. ი. მშრომელთა მასების მხრეებზე გადაიტანა.

სოციალიზმის პირობებში კაპიტალ. წარმოების წესისათვის დამახასიათებელი ი-ის სოც. პრობლემა იხსნება. სოციალ. ქვეყნებში დიდი როლი ენიჭება ი-ის დარგებსა და საზ. წარმოების ეფექტიანობას შორის პროპორციების დაცვას. ამ პროპორციათა შესწავლასა და ობიექტურ კანონზომიერებათა გამოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალ. კვლავწარმოების ტემპის განსაზღვრისათვის, აგრეთვე საზ. შრომის ნაყოფიერების ზრდისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენებისათვის. სსრკ-ში სახ. მეურნ. განვითარების X ხუთწლიანი გეგმა ი-ის დარგების შემდგომ განვითარებას ითვალისწინებს.

ა. თოთაძე.

ინფრაწითელი გამოსხივება, ინფრაწითელი სხივები, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რ-იც მოიცავს სპექტრულ ინტერვალს ხილული არის წითელ ზღვარსა (ტალღის სიგრძე $\lambda=0{,}74$ *მკმ*) და რადიოგამოსხივებას ($\lambda=1-2$ *მმ*) შორის. პირობითად ამ სპექტრულ ინტერვალს ვიყენებ ახლო (λ იცვლება 0,74—2,5 *მკმ*), საშ. (2,5—50 *მკმ*) და შორ (50—2000 *მკმ*) ინფრაწითელ უბნებად.

ი. ბ. აღმოაჩინა ინგლ. მეცნიერმა *უ. ჰერშელმა* 1800. XIX ს. დაამტკიცეს, რომ ი. ბ. ემორჩილება ოპტ. კანონებს და ისეთივე ბუნება აქვს, როგორიც ხილულ სინათლეს.

ი. ბ-ის სპექტრი ხაზოვანი, ზოლოვანი ან უწყვეტია. ხაზოვან, ზოლოვან სპექტრებს გამოასხივებს ორთქლი ან აირი, უწყვეტს კი — გახურებული მყარი და თხევადი სხეულები. შედარებით დაბალი ტემპ-რის (500°C-ზე დაბალი) მქონე სხეულების გამოსხივება მთლიანად ინფრაწითელ არეშია მოთავსებული, ხოლო უფრო მაღალი ტემპ-რის სხეულებისა — როგორც ინფრაწითელ, ისე ხილულ არეებში; მაგ., 6000 K-ის ტემპ-რის აბსოლუტურად შავი სხეულის გამოსხივების მხოლოდ 50%-ია ინფრაწითელ არეში. ი. ბ-ის საუკეთესო წყაროა გავარვარებული სხეული, რ-საც ფართოდ იყენებენ ტექნიკაში. ამჟამად იყენებენ აგრეთვე ი. ბ-ის სხ. ტიპის წყაროს — კვანტურ ოპტ. გენერატორებს (*ლაზერებს*). ი. ბ-ის რეგისტრაციის პრინციპი დაფუძნებულია მის სითბურ ან ფოტოელექტრულ მოქმედებაზე.

ი. ბ-ს დიდი გამოყენება აქვს მეცნიერებასა და ტექნიკაში. ინფრაწითელი არის შთანთქმისა და გამოსხივების სპექტრებს იყენებენ მოლეკულების სტრუქტურისა და რთული მოლეკულური შედგენილობის მქონე ნივთიერებების ნარევის თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის. *ინფრაწითელ ფოტოგრაფიას* დიდი უპირატესობა აქვს ხილული სხივებით ფოტოგადაღებასთან შედარებით. მისი საშუალებით 500 *კმ*-ით დაშორებული საგნების მკაფიო ფოტოსურათები მიიღება. მასზე შეიძლება გამომჟღავნდეს საგნის ისეთი დეტალები, რ-ებიც არ შეიმჩნევა ჩვეულებრივ ფოტოსურათებზე. ამ თვისებებს იყენებენ მედიცინასა და ბოტანიკაში (სხვადასხვა დაავადებათა დადგენისათვის), კრიმინალისტიკაში, აეროფოტოგადაღებებსა და ასტრონომიაში. ინფრაწითელი სხივებით ფოტოგადაღება შეიძლება სრულ სიბნელეშიც. სპეც. ელექტრონულ-ოპტ. გარდამქმნელები თვალით უხილავ ინფრაწითელ გამოსახულებას გარდაქმნიან ხილულ გამოსახულებად.

ი. ბ-ს იყენებენ ოპტ. სატელეფონო კავშირსა და ობიექტების სითბურ პელენგაციაში. წარმოებაში ი. ბ-ს იყენებენ შრომის პროცესის დასაჩქარებლად.



ინფრაწითელი გამოსხივება. უ. ჰ.-ერშელის ცდა. მზის სპექტრის წითელი ნაწილის მიღმა მოთავსებულმა თერმომეტრმა გვერდით მოთავსებულ საკონტროლო თერმომეტრებთან შედარებით აჩვენა უფრო მაღალი ტემპერატურა.

ლიტ.: Козелкин В. В., Усольцев И. Ф., Основы инфракрасной техники, М., 1967; Леконт Ж., Инфракрасное излучение, пер. с франц., М., 1958.

ინფრაწითელი ტექნიკა, გამოყენებითი ფიზიკისა და ტექნიკის დარგი, რ-ის ამოცანაა ისეთი ხელსაწყოების შექმნა და გამოყენება, რ-თა მუშაობის პრინციპი ინფრაწითელ გამოსხივებასა და მისი ფიზ. თვისებების გამოყენებას ემყარება. ეს ხელსაწყოებია: დამკვირვებელი (იხ. *ვიდიკონი*) და ინფრაწითელი გამოსხივების გამოსავლენი და მისი საზომი მოწყობილობანი; ელექტრონულ-ოპტ. გარდამქმნელები; თერმოდამზნების მოწყობილობები, რ-ებსაც აყენებენ რაკეტებსა და ჭურვებზე; ინფრაწითელი ფოტოგრაფიის, სხეულთა ტემპ-რის დისტანციური გაზომვის (იხ. *პირომეტრი*), ფარული სიგნალიზაციის, მიწიერი და კოსმ. კავშირგაბმ. მოწყობილობანი; ინფრაწითელი სამიზნეები; მანძილსაზომები; ხელსაწყოები, რ-ებიც დედამიწაზე, ზღვასა და ჰაერში სამიზნე ობიექტებს მათი საკუთარი ინფრაწითელი გამოსხივების მიხედვით აღმოაჩენენ.

ი. ტ-ის ამოცანაა აგრეთვე ინფრაწითელი გამოსხივების წყაროებისა და მიმღებების (მ. შ. ინფრაწითელი დიაპაზონის ოპტ. კვანტური გენერატორების), ინფრაწითელი გამოსხივების გამომყოფი შუქფილტრების, ინფრაწითელი სპექტრის არეში ყამჭვირვალე მასალების შექმნა და სხვ.

ინფრაწითელი ფოტოგრაფია, *ინფრაწითელი გამოსხივების* მეშვეობით ფოტოსურათების მიღება. ი. ფ. საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დამატებითი (ხილული სინათლის ფოტოგრაფირებასთან შედარებით ან თვალით ობიექტების განხილვისას) ინფორმაცია ობიექტების შესახებ. ი. ფ-ს იყენებენ აეროფოტოგადაღებაში, არქეოლოგიაში, ასტრონომიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში და ა. შ. ხილულ სინათლეზე შეუმჩნეველი ობიექტების გამოსამჟღავნებლად (იხ. ნახ.).

ინფრაწითელი ფოტოგრაფია ფეხის ფოტოგრაფია. მიღებული ხილული (ზემოთ) და ინფრაწითელი სხივებით (ქვემოთ), რომელზეც გამოკვეთილად ჩანს ვენები.

ინფუზორიები (Infusoria), უმარტივესთა კლასი. აქვთ ორი, განსხვავებული სტრუქტურისა და ფუნქციის მქონე ბირთვი, მრავალრიცხოვანი წამწამებით დაფარული სხეული. ზომა მერყეობს 12 *მკმ*-იდან—3 *მმ*-მდე. განასხვავებენ მობრავ, ფსკერულ, წყლის წყალმცენარეებზე მცხოვრებ, ცალად, კოლონიურ, კუმშვად, დატოტვილ, დაუტოტავ და ჯაგშნიან ი-ს. ზოგ ი-ს აქვს ნიჟარა. ი-ის სხეული შედგება ექტოპლაზმისა და ენდოპლაზმისაგან, დაფარულია თხელი და ელასტიკური გარსით (პელიკულით). ექტოპლაზმა შეიცავს საწამწამე აპარატს, ტრიქოცისტებს, მიონემებს, ნეიროფანებს და საჭრდენ ბოჭკოებს, ენდოპლაზმას ბირთვებით, ვაკუოლებს და სხვადასხვა ტიპის გრანულებს. საჭმელი პირის ხვრელით (ციტოსტომით) გადადის ხახაში. საკვების გადასამუშავებლად ენდო-



ინფუზორიები. ქალამანა (Paramecium caudatum): 1—წამწამები; 2—საშვლის მომნელებელი ვაკუოლი; 3 — მიკრონუკლეუსი; 4—პირის ხვრელი; 5 — ხასა; 6 — ანალური ვაკუოლის შიგთავსი; 7 — კუმშვადი ვაკუოლის რეზერვუარი; 8 — მაკრონუკლეუსი; 9 — ტრიქოცისტები.

ინფუზორიები. პარაზიტული ფორმები



ტრიქოდინა –Trichodina nigra

იქთიოპთირიუსი — Ichthyophthirius multifiliis.

აპიოზომა—Apiosoma piscicola.

პლაზმაში წარმოიქმნება მომნელებელი ვაკუოლები. მონელებული საკვები შეიწოვება ენდოპლაზმაში, მოუნელებელი კი — სპეც. ხვრელით გამოიდევნება. ზოგი ოსმოსურად იკვებება, უმეტესობა კი — ბაქტერიებით, ფვრილი წყალმცენარეებით და სოკოებით, ზოგიერთი მათგანი მტაცებელია. O-ის უმეტესობას აქვს უფრედის ოსმოსური წნევის მარეგულირებელი ერთი ან რამდენიმე მფეთქი ვაკუოლი. O. მრავლდებიან უსქესოდ — ორად, განმეორებითი გაყოფით, ერთდროულად მრავალგზის გაყოფით, დაკვირტვით. სქესობრივი პროცესი სახეცვლილია და გამრავლებასთან არ არის დაკავშირებული, ზოგიერთი O-ის ბირთვები იშლება ინდივიდების კონტაქტის გარეშე, *აეტოგამიისა* და ენდომიქსიის გზით. O-ის კლასის 6 ათასამდე სახეობა გაერთიანებულია 5 ქვეკლასში. O. ბინადრობს მტკნარ წყალში და ზღვაში, შედის ბენთოსისა და პლანქტონის შემადგენლობაში, გვხვდება ნიადაგში, ხავსში და სხვ. მჯდომარე O. უმეტესად შეგუებული არიან ექტო-, ენდოკომენსალიზმსა და პარაზიტიზმს. პარაზიტობენ პრაქტიკულად წყლის ყველა და ხმელეთის მრავალ ცხოველზე (გარდა ფრინველებისა). ზოგიერთი პარაზიტული O. პათოგენურია: ტრიქოდინები, იქთიოპთირიუსი, ქილოდონელა თევზებისათვის, ბალანტიდიუმი — შინაური ცხოველებისა (ღორი) და ადამიანისათვის. O-ის გავრცელებას ხელს უწყობს ინცისტირების უნარი. ვარაუდობენ, რომ O. წარმოიშვნენ უფერული ჰეტეროტროფული შოლტოსნებისაგან.

ლიტ.: ყ ვ ა შ ვ ი ლ ი ბ., უხერხემლოთა ზოოლოგია, თბ., 1973; Д о г е л ь В. А., П о л я н с к и й Ю. И., Х е й с и н Е. М., Общая протозоология, М.—Л., 1962.

ი. გოგებაშვილი.

ინკოუ, ქალაქი და ნავსადგური ჩრდ.-აღმ. ჩინეთში, ლაონინის პროვინციაში, მდ. ლიაოხეს შესართავში, ყვითელი ზღვის სანაპიროზე. 250 ათ. მკს. (1976). დიდი სატრანსპ. კვანძი. ცელულოზა-ქაღალდის, საფეიქრო (ბამბის), ტრიკოტაჟის, კვების მრეწველობა. რეზინისა და აზბესტის ნაკეთობათა დამზადება. ლითონდამუშავება, გემების შეკეთება.

ინშანი, მთები ჩრდ. ჩინეთსა და შიგა მონღოლეთში, მდ. ხუანხეს ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-ით. შედგება ქედების (ლანშანი, შეიტენ-ულა, ულაშანი, დაცინშანი) და მათ შორის მდებარე ხეობებისაგან. საერთო სიგრძე 650 *კმ*-მდეა, სიმაღლე 2400 *მ*-მდე. ქედების ჩრდ. კალთები დამრეცია, სამხრ.—ციცაბო და ფლატოვანი. აგებულია უმთავრესად კრისტ. ქანებით. O-ში არის ქვანახშირისა და რკინის მადნის საბადოები. სამხრ. კალთების თხემისპირა ნაწილში მთის სტეპია, ვიწრობებში შემორჩენილია ფიჭვისა და არყის კორომები, მდინარეთა ხეობებში დაფნისფოთოლა ვერხვის რაყებია, ჩრდ. კალთების ძირას — ნახევარუდაბნოები.

ინჩხონი, ჩ ე მ უ ლ პ ო, ქალაქი და ნავსადგური სამხრ. კორეაში, კიონგიდოს პროვინციაში, ყვითელი ზღვის სანაპიროზე, მდ. ხანგანის შესართავის მახლობლად. 700 ათ. მკს. (1975). სატრანსპ. კვანძი და დიდი სამრეწვ. ცენტრი. მანქანათმშ. და ლითონდამუშავება, ფოლადსასხმელი და ქიმ. მრეწვ., ფურცლოვანი მინისა და ფაიფურ-ქაშანურის ნაკეთობათა წარმოება. დიდი საფეიქრო ფ-კები, საფქვავი საწარმოები, შინამრეწველური სახელოსნოები.

პირველი დასახლება თანამედროვე O-ის ტერიტორიაზე ახ. წ. პირველ საუკუნეებში გაჩნდა. შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით XIV ს. დასასრულიდან) O. კორეის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრი იყო. XIX ს. ბოლოდან გაიხსნა უცხოეთთან ვაჭრობისათვის. O-ის ნავსაყუდელში გმირულად დაიღუპა (1904) რუს. კრეისერი „ვარიაგი". 1919 მარტის სახ. აჯანყების დროს O-ის მოსახლ. ბარიკადებზე იბრძოდა იაპ. დამსჯელთა წინააღმდეგ. 20—30-იან წლებში O. პროლეტ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. O. აშშ-ის სამხ.-საზღვ. ბაზაა.

ინჩხური, გეგეჭკორის რ-ნის სოფლების *დიდი ინჩხურისა* და *პატარა ინჩხურის* ძვ. სახელწოდება.

ინციდენტი (ლათ. incidens, ნათ. ბრ. incidentis — რაც ხდება), შემთხვევა (რეგულებრივ, უსიამოვნო), გაუგებრობა, შეხლა-შემოხლა.

ინცუხტი (გერმ. Inzucht), ორგანიზმთა ახლონათესური შეჯვარება; ჯვარედინმტვერია მცენარეთა იძულებითი თვითდამტვერვა; იგივეა, რაც *ინბრიდინგი.*

ინწყირველი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (წყლისაყრის სოფსაბჭო), მდ. ჭვანისწყლის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, შუახევიდან 30 *კმ*. ჟანიერის ს. წულუკიძის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

ინწყირველი ალექსანდრე სოლომონის ძე (15. I. 1898, სოფ. ნაგომარი, ოზურგეთის მაზრა, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 6. V. 1967, თბილისი), ქართველი საბჭ. არქიტექტორი. საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა მოსკ. უმაღლესი სამხატვრო-ტექ. ინ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1930). საქ. სსრ არქიტ. კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის უცვლელი წევრი. 1947—52 არქიტ. კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა 1930—60. ნამუშევრები: წყალტუბოში— სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის კომპლექსი (1956, არქიტ. ვ. ჩანტლაძესთან ერთად, თანაავტ. ვ. ნასარიძე), სოცდაზღვევის სანატორიუმი (1947, არქიტ. თ. ფოცხიშვილთან ერთად) და სხვ.

გ. მარსაგიშვილი.

ინწყირველი ვანო (სტეპკო) ნიკოლოზის ძე [15 (27). VIII. 1887, სოფ. ფამფალეთი, ოზურგეთის მაზრა, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 20. V. 1908, ბაქო], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. კომპარტიის წევრი 1903-იდან. 1901-იდან ეწეოდა არალეგალურ რევ. მოღვაწეობას. 1904 აირჩიეს ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტის წევრად. 1905—07 რევ. დროს იყო ჭიათურის მუშათა პოლიტ. გაფიცვების და შორაპნის მაზრაში დეკ. შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შორაპნის მაზრის სამხ.-რევ. შტაბის ერთ-ერთი მეთაური; მონაწილეობდა ჩხარის საპოლიციო უბნის, ყვირილის სამაზრო საპოლიციო სამმართველოსა და თენგინის პოლკის ჯარისკაცების განიარაღებაში. 1906 — 07 პროპაგანდას ეწეოდა თბილ. მუშათა არალეგალურ წრეებში, დისკუსიებზე გამოდიოდა ბოლშევიკური პარტიის პოზიციიების დასაცავად და სხვ. 1908 დასაწყისში პარტ. დავალებით გაემგზავრა ბაქოში, სადაც დაიღუპა პოლიციასთან შეტაკების დროს.

ლიტ.: რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), თბ., 1961.

ს. კვაჭაძე.

ინწოგა, მდინარე აღმ. საქართველოში, მდ. ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 22 *კმ*, აუზის ფართ. 83 *კმ*², საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა—ზამთარში. ზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნა, საშ. ხარჯი საბუესთან 1,26 *მ*³/*წმ*. ქვემო დინებაში იყენებენ სარწყავად.

ი. აფხაზავა.

ინწოგა, ს ა ბ უ ე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო ანსამბლი. სოფ. საბუედან (ყვარლის რ-ნი) 7 *კმ*-ზე. კომპლექსში შედის: VI ს. ნათლისმცემლის ეკლესიისა და ქვის ზღუდის ნანგრევები, საბრძოლო კოშკი და სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები. *სამეკლესიიანი ბაზილიკის* ტიპის ეკლესია ნაგებია თანაბარი ზომის უხეშად დამუშავებული ქვითა და აგურით. აფსიდით დასრულებული მთავარი ეკლესიის ვიწრო და მაღალი, გეგმით წაგრძელებული შუა ნავი უშუალოდ უკავშირდებოდა სამსხვერპლოს, სადიაკვნეს და ჩრდ. და სამხრ. ეკლესიებს. სამხრ. ეკლესიას ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი, რ-ის ორი ნალისებრი ფორმის თაღი შუაში აღმართულ სქელ, მასიურ ბოძს ეყრდნობოდა. დას. კედელზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესია მრავალჯერ დანგრეულა და შეუკეთებიათ.

ინჭიჭიანი ლუკას (21. III. 1758—1843), სომხეთის კლერიკალურ-ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი, ვენეციელი მხითარისტი. რედაქტორობდა პოლიტ., რელიგ. და ლიტ. შინაარსის პერიოდულ გამოცემებს, 1804—06 მონაწილეობდა მრავალტომიანი ისტ.-გეოგრ. სტატისტ. ცნობარის „მსოფლიოს ოთხ ნაწილთა გეოგრაფიის" შედგენაში, რ-ის V და VI ტომები (მიძღვნილი ოსმალეთისა და სომხეთისადმი) მას განეკუთვნება. 1822 გამოცა „ძველი სომხეთის ტოპოგრაფია", 1835 — „სომხეთის არქეოლოგიური აღწერა" და სხვ.

O-ის ისტ.-გეოგრ. შრომებში აზიის ქვეყნებთან ერთად აღწერილია თბილისი, ახალციხის საფაშო და კურია. 1818 დასტამბული გეოგრ. სახელმძღვანელოს ერთი ნაწილი ქართულად ითარგმნა და ხელნაწერის სახით დაცულია ქუთ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში („ვინ არიან ქართველნი", № 301, გვ. 57—59). მოგვიანებით, მისივე რედაქციით ვენეციაში დაისტამბა „წმიდანთა ცხოვრება", რ-იც იქვე ითარგმნა ქართ. ენაზე და ცალკე წიგნად გამოიცა 1859.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები. კატალოგი. [ტ.] 1, თბ., 1949; მ ი ს ი ვ ე, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.

გ. მაისურაძე.

ინჯალო, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (ურეხის სოფსაბჭო), კახაბრის ვაკეზე. ზ. დ. 70 *მ*, ხელვაჩაურიდან 6 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. ურეხის ს. კიროვის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). რვაწლ. სკოლა.

ინჯაოლლი (ყოფ. ს ა რ კ ი ნ ე თ ი), სოფელი ბოლნისის რ-ნში (ბოლნისის სოფსაბჭო), მდ. ბოლნისისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 615 *მ*, ბოლნისიდან 12 *კმ*. ბოლნისის მსხვ. რქ. საქონლის სასუქიბელი სამეურნეობათაშორისო გაერთიანება. რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა.

ინჰალაცია (<ლათ. inhalo — შევისუნთქავ), შესუნთქვით ორგანიზმში სამკურნალო ნივთიერებათა (ორთქლის, აირის და აეროზოლის სახით) შეყვანის მეთოდი. სამკურნ. ნივთიერების დაქუცმაცება ხდება სპეც. აპარატში — ინჰალატორში, საიდანაც სასუნთქ გზებში ხვდება (შესუნთქული ორთქლის ტემპ-რა 45°C უნდა აღწევდეს). არსებობს სტაციონარული და გადასატანი (იხ. ნახ.) ინჰალატორები. O-ის მეთოდით ორგანიზმში შეჰყავთ ტუტეები, ხსნადი სულფანილამიდური პრეპარატები, ანტიბიოტიკები და სხვ. O-ს უფრო ხშირად ივენებენ სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების დროს. ზეთოვანი O-ის (მზადდება მცენარეული ზეთისა და მენთოლისაგან) დროს ზემო სასუნთქი გზების ლორწოვან გარსზე ჩნდება თხელი ზეთოვანი აპკი, რ-იც ხელს უშლის სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერების შესრუტვას და აადვილებს ნახველის ამოღებას. ქიმ. და ცემენტის ქ-ნებში მასობრივი საინჰალაციო პროცედურა ტარდება ინჰალატორიუმებში. სამკურნ. ნივთიერებათა შესუნთქვას უწოდებენ ხელოვნურ O-ს, ხოლო ბუნებრივ პირობებში ზღვის, მთისა ან ტყის ჰაერით სუნთქვას — ბუნებრივ O-ს.

ᲘᲜᲰᲘᲑᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ (<ლათ. inhibeo—ვაჩერებ, ვაყოვნებ) ბიოლოგიაში, ფერმენტების აქტივობის დამთრგუნავი ნივთიერებანი; ბუნებრივი ან სინთეზური პაერთები, რ-ებიც განსხვავდებიან მოქმედების თავისებურებით, სპეციფიკურობითა და სხვა თვისებებით. მოქმედებენ როგორც ცოცხალ ორგანიზმში, ისე არაუჯრედოვან სისტემებში, სადაც ფერმენტების აქტივობას სრულად ან ნაწილობრივ თრგუნავენ. ორგანიზმში ბუნებრივი Ი. შეიძლება იყოს ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები. ასეთ ინჰიბირებას ეწოდება შეკავება უკუკავშირის პრინციპის მიხედვით (ტექ. ანალოგიურად), რადგანაც რომელიმე ნაერთის ბიოსინთეზის პროცესის საბოლოო პროდუქტი სპეციფიკურად თრგუნავს რეაქციის ერთ-ერთ პირველ სტადიას. ინჰიბირება ხორციელდება ორნაირად: 1. გენეტიკურ დონეზე, როდესაც Ი. თრგუნავს ბიოსინთეზური ჯაჭვის დასაწყისში მოქმედი ერთ-ერთი ფერმენტის წარმოქმნას; 2. კინეტიკურ დონეზე, როდესაც Ი. ამცირებს უშუალოდ ფერმენტის აქტივობას. პირველ შემთხვევაში მოქმედ Ი-ს უწოდებენ *რეპრესორს*, ხოლო მეორეში — რეტროინჰიბიტორს (რეტროინჰიბირება ფერმენტის აქტივობის, ე. წ. ალოსტერული რეგულაციის კერძო შემთხვევაა). Ი-ს იყენებენ ფერმენტთა კატალიზური მოქმედების მექანიზმების შესწავლის, ცილების ფუნქციური ჯგუფების ბუნების დადგენისა და ნივთიერებათა ცვლაში სხვადასხვა ფერმენტული პროცესის მნიშვნელობის გარკვევისას. Ი-ს პრაქტ. მნიშვნელობაც აქვს: შხამქიმიკატები თრგუნავენ მავნე მწერებისა და სარეველა მცენარეების სასიცოცხლო პროცესებს; ფარმაკ. საშუალებანი და სხვადასხვა წამალი აგრეთვე თრგუნავს გარკვეულ ფერმენტულ რეაქციებს. ხშირად Ი-ს ხმარობენ უფრო რთული ბიოლ. პროცესის შემკავებლების მნიშვნელობითაც (მაგ., მცენარის ზრდის Ი.). *დ. ჯორბაძე.*

ᲘᲜᲰᲘᲑᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ მცენარის ზრდისა, ნივთიერებები, რ-ებიც აფერხებენ მცენარის ზრდას (თესლის გაღივება, კვირტის გაშლა, ღეროს ზრდა). ზრდის ბუნებრივი Ი. დიდი რაოდენობით გროვდება კვირტისა და თესლის ქსოვილებში ზრდის პროცესის შეწყვეტის დროს. ზომიერ სარტყელში ეს პერიოდი შემოდგომას ემთხვევა. გაზაფხულზე, მცენარის ინტენს. ზრდის დაწყებამდე (თესლის გაღივება, კვირტის გაშლა და ა. შ.), ქსოვილები ზრდის ინჰიბიტორებით მკვეთრად ღარიბდება. ზრდის Ი. თრგუნავს ყველა ცნობილი *ფიტოჰორმონის* მოქმედებას. როდესაც რაიმე მიზეზით (მაგ., საცდელი ნაკვეთების მასობრივი დამუშავებისას) საჭიროა მცენარის ზრდის შეჩერება, მაშინ იყენებენ ზრდის სინთეზურ Ი-ს.

ᲘᲜᲰᲘᲑᲘᲢᲝᲠᲔᲑᲘ ქიმიური, ნივთიერებები, რ-ებიც აბრკოლებენ ქიმ. რეაქციებს; იყენებენ არასასურველი პროცესების (მაგ., ლითონების კოროზიული დაშლა, სათბობის, საპოხი ზეთების და კვების პროდუქტების ჟანგვა, პოლიმერიზაცია და სხვ.) შესაფერხებლად ან თავიდან ასაცილებლად. Ი-ის დამახასიათებელი თვისებაა მათი მცირე კონცენტრაციების ეფექტურობა.

ლიტ.: Алцыбеева А. И., Левин С., Ингибиторы коррозии металлов. Справочник, [Л.], 1968.

ᲘᲜᲰᲣᲛᲐᲪᲘᲐ (ფრანგ. inhumation), მიცვალებულის მიწაში დამარხვის ყველაზე ადრინდელი და ფართოდ გავრცელებული წესი. დადასტურებულია ქვედა პალეოლითის (მუსტიეს) ხანიდან დღემდე.

ᲘᲝ, პლანეტა *იუპიტერის* თანამგზავრი. ხილული *ვარსკვლავიერი სიდიდე* საშ. ოპოზიციაში 4,8, პლანეტიდან საშ. დაშორება 421,6 ათ. *კმ*, გარემოქცევის სიდერული პერიოდი 0,76914 *დღ-ღ*, დიამეტრი 3470 *კმ*. აღმოაჩინა გ. *გალილეიმ* 1610.

ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲔ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲔᲚᲩᲝᲑᲐ რუსეთში 1566—67, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ კახეთიდან უკან დაბრუნებულ დანილოვის ელჩობას თან გააყოლა თავისი ელჩები: იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა, 1566 ოქტ. ელჩები წარუდგნენ რუს. ხელმწიფეს. ალექსანდრე II-ის სახელით ისინი ითხოვდნენ: რუსეთს თერგზე აეგო ციხე და იქ ჯარი ჩაეყენებინა; დაეჭირა თერგიდან საქართველოსაკენ მომავალი გზა, რ-იც საშამხლოზე გადიოდა; კახეთს სამეფო მფარველობაში მიეღო და გარეშე მტერთაგან დაეცვა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ქართვ. ელჩები კახეთში დაბრუნდნენ. მათ თან ჩამოჰყავთ რუსი ელჩები ბირკანის მეთაურობით (იხ. *ბირკინის ელჩობა* კახეთში).

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 1967.

ვ. მაჭარაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ, საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი დაახლ. VII ს. დასაწყისში, ადარნასე ბაკურის ძის ერისმთავრობაში. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი ტექსტის ცნობა შეცდომით ამ Ი-ს მიაწერს *იოანე გუთელის* ეპისკოპოსად კურთხევას.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ, საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი დაახლ. VIII ს. შუა წლებში. კათალიკოსად უკურთხებია ანტიოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს (744—751). Ი-ს შესახებ ცნობა დაცულია მხოლოდ ბერძნულ, ანტიოქიურ ქრონოგრაფში, საიდანაც შეტანილია *ეფრემ მცირის* (XI ს. II ნახ.) საისტორიო თხზულებაში. Ი-ს უკურთხებია ეპისკოპოსად *იოანე გუთელი.*

წყარო: ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკისენების, თ. ბრეგვაძის გამოც., თბ., 1959; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XII ს. პირველ მეოთხედში. იყო დავით აღმაშენებლის სახელმწ. ღონისძიებების ენერგიული გამტარებელი, 1103 თავ-რეობდა *რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას*, რ-მაც ეპისკოპოსობიდან გადააყენა ცენტრ. ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვარიანი ფეოდალები და მათ ადგილზე დაადგინა მეფის ერთგულნი; მოაწესრიგა საეკლ. წყობილების დარღვეული ნორმები, შეიმუშავა და დადგენილების სახით გამოუშვა ახ. საეკლ. კანონები. დავით აღმაშენებლის ინიციატივით 1123 Ი-მ შიომღვიმის სამეფო მონასტერს მიანიჭა მის საყმო მამულში სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა. ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართ. კულტურის ცენტრებში ლიტ. მუშაობის გაცხოველებისათვის.

წყარო: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1953; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; „ძეგლისწერა“ რუის-ურბნისის კრებისა, წგნ.: დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის რედ., თბ., 1975; Марр Н. Я., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დაახლ. XIII ს. 10-იან წლებში. ეკუთვნოდა სამღვდელოების კონსერვატორულ-რეაქციულ წრეს. იღვწოდა ქართ.-დიოფიზიტური ეკლესიის პრიკილეგიური მდგომარეობისათვის.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ, XII ს. II ნახ. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლის

ინწობა (საბუე). იოანე ნათლისმცემლის სამეკლესიანი ბაზილიკა. VI ს.

პრომანის მონასტერში. თამარ მეფის შეკვეთით გადაუწერია ვანის სახარება, რ-იც ბიზანტიელ ოსტატს მიქაელ კორესელს დაუსურათებია. მორთულობა (კამარები, თავსამკაულები, მინიატიურები) წიგნისა და თავების დასაწყისშია თავმოყრილი. სახარება (29, 1×21 *სმ*) დაწერილია ძალიან ლამაზი, კალიგრაფიული ნუსხურით, სეპიის მელნით, ორ სვეტად. მორთულობის სიმდიდრითა და შესრულების ხასიათით ვანის სახარება ერთი უპირველესთაგანია „არისტოკრატიულ“ ქართ. ხელნაწერთა შორის.

ᲘᲝᲐᲜᲔ (გვარად ავალიშვილი), აღმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1612—16, მწიგნობარი, კალიგრაფი, მხატვარი. ადრე საფარის მონასტრის წინამძღვარი იყო. ის და მისი ძმა ზაქარია დაახლოებული იყვნენ ქართლისა და კახეთის სამეფო ოჯახებთან. Ი-ს ქვეთახევის მონასტრის წინამძღვრობა უბოძეს, შემდეგ — ქართლის მთავარეპისკოპოსობა. 1614, აბას I-ის აღმ. საქართველოში შემოსევის დროს, Ი. იმერეთში გაიხიზნა და დიღბანს ცხოვრობდა მალაქია კათალიკოს-პატრიარქთან, იქვე გარდაიცვალა. 1609 Ი-ს გადაუწერია და აშიებით შეუმკია ლოცვან-დაუჯდომელი თეიმურაზ I-ის დედის — ქეთევან დედოფლის დაკვეთით. Ი-ს ერისკაცობის დროს გადაუწერია და მხატვრულად გაუფორმებია ვეფხისტყაოსანი.

ლიტ.: გაგაბაძე ს., ვეფხის-ტყაოსნის 1600 წლის ახლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი, «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2.

ბ. ლომინაძე.

ე. ინწკირველი.

ᲘᲝᲐᲜᲔ (გვარად დიასამიძე), აღმ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1688—92, 1695—1700. მხარს უჭერდა ერეკლე I-ს გიორგი XI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზრუნავდა მცხეთის საპატრიარქო ეკლესიის ეკონ. გაძლიერებისათვის. 1692 დავითგარეჯის მონასტერს მცხეთის შემოსავლიდან დაუწესა ყოველწლიური ულუფა-ჯამაგირი სურსათის სახით.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ (გვარად ჯორჯაძე) (გ. 1763), ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი, დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი 1736—63, ნეკრესელი (ნეკრესის მიტროპოლიტი) 1740—51, ბოდბელი (ბოდბის ეპისკოპოსი) 1751—63. მღვდელმთავრობის დროს დავითგარეჯის მონასტერში ცხოვრობდა. 1751 ბოდბეში გადავიდა. მონაწილეობდა ერეკლე II-ის მიერ თბილისში გამართული საეკლ. კრების (1748) მუშაობაში, რ-მაც მიიღო კანონები მღვდელმსახურებისა და სარწმუნოების ნორმების დაცვის შესახებ.

ლიტ.: ლომინაძე ბ., გარეჯის სენიორია, მის წგნ.: ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ (Ioannēs), ბიზანტიის იმპერატორები. **Ი. I** ციმისხი (Tsimiskēs) (დაახლ. 925, იერაპოლისი, — 10. I. 976, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი 969-იდან, მცირეაზიელ (სომეხ) მსხვილ მიწათმფლობელთა — კურკუასების გვარის წარმომადგენელი. ტახტი დაიკავა სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების შედეგად. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ბულგარეთში, საიდანაც 971 განდევნა კიევის მთავარი სვიატოსლავი, დაიმორჩილა ჩრდ.-აღმ. ბულგარეთი, 972—975 დაიკავა ჩრდ.

ინპალაციია. გაღასატანი ინპალატორი ორთქლით ინპალაციისათვის. 1—ჭიქა; 2—რეზერვუარი; 3—სპირტქურა; 4—შუშის ძაბრი (ორთქლის შესასუნთქად).

მესოპოტამიისა და სირიის ქ-ები; კავშირი შეკრა გერმ. იმპერატორთან.

Ი. II კ ო მ ნ ე ნ ო ს ი (Komnēnos) (13. IX. 1087, კონსტანტინოპოლი, — 1143, კილიკია), ბიზანტ. იმპერატორი 1118-იდან. განაგრძობდა თავისი მამის, ალექსი I კომნენოსის, პოლიტიკას. ფლოტის მართვის ცენტრალიზაციის მიზნით ჩაატარა მისი რეფორმა. ბიზანტიას დაუქვემდებარა ანტიოქიის სამთავრო (1137), გაანადგურა კილიკიის სომხ. სამთავრო (1136). მის წინააღმდეგ აჯანყდა ტრაპიზონის მმართველი გაბრა და დროებით დამოუკიდებლობა მოიპოვა.

Ი. VI კ ა ნ ტ ა კ უ ზ ე ნ ი (Kantakuzēnos) (დაახლ. 1293, კონსტანტინოპოლი, —15. VI. 1383, მისტრა), ბიზანტ. პოლიტ. მოღვაწე და მწერალი, იმპერატორი 1341—54. აუჯანყდა იოანე V პალეოლოგოსს და თავი იმპერატორად გამოაცხადა, 1347 დაიკავა კონსტანტინოპოლი. პოლიტ. მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ვენდნობოდა თურქ-ოსმალებს, რ-თაც ხელი შეუწყო დარდანელის ევრ.სანაპიროზე დამკვიდრებაში. ატარებდა ფეოდ. არისტოკრატიის სასარგებლო პოლიტიკას, მაგრამ აიმხედრა ქ-ები. მის დროს სტეფანე დუშანმა ბალკ. ნ. -კ-ის დიდი ნაწილი დაიპყრო. Ი. VI-ის პოლიტიკამ საერთო უკმაყოფილება გამოიწვია, იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე და ბერად აღკვეცილიყო. მის მიერ მონასტერში დაწერილი „ისტორია", რ-იც 1320—56 მოვლენებს ეხება, შეიცავს შდიღარ ფაქტობრივ მასალას და, მიუხედავად ტენდენციურობისა, წარმოადგენს გვიანდ. ბიზანტ. ხანის ერთ-ერთ საუკეთესო ისტ. თხზულებას.

Ი. VIII პ ა ლ ე ო ლ ო გ ო ს ი (Paleologos) (21. VII. 1391—31. X. 1448), ბიზანტ. იმპერატორი 1425—48. მანუელ II-ის თანამმართველი 1421-იდან. მის დროს ფეოდ. სამთავროებად დაშლილი იმპერია დალუპვის პირას იყო მისული, წინააღმდეგობის ვეღარ უწევდა თურქ-ოსმალებს, უშედეგოდ ცდილობდა მათ წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის ორგანიზებას და რომის პაპის დახმარების გამოყენებას. თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობა, რ-შიაც პოლ., უნგრ., რუმ. და ბიზანტ. ჯარები მონაწილეობდნენ, პირველი წარმატებების შემდეგ, 1344 ვარნასთან მარცხით დასრულდა. Ი. VIII იძულებული გახდა მძიმე დათმობის ფასად თურქ-ოსმალთაგან ზავი ეყიდა. *ნ. ლომოური.*

ᲘᲝᲐᲜᲔ XXII (Ioannes), ერისკაცობაში ჟ ა კ დ უ ე ზ (Iacques Duéze) (დაახლ. 1245, კაპორი, — 4. XII. 1334, ავინიონი), ავინიონის პაპი 1316—34. წარმოშობით ფრანგი. პაპის ტახტი დაამკვიდრა ავინიონში. ებრძოდა ლუდვიგ IV ბავარიელს (1287—1347). შემოიღო მძიმე საგადასახადო სისტემა სამღვდელოებისათვის. უარყო ფრანცისკელთა ორდენის სიღარიბის იდეალი. 1318 Ი. XXII-მ საქართველოში გაგზავნა ფრანცისკელი და დომინიკელი მონაზვნები. 1328 სმირნის საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადაიტანა და ეპისკოპოსად დანიშნა (1329 წ. 7 თებ.) დომინიკელი იოანე ფლორენციელი.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902. *ვ. გოილაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ XXIII (Ioannes), ერისკაცობაში ა ნ ჯ ე ლ ო ჯ უ ზ ე პ ე რ ო ნ კ ა ლ ი (Angelo Giuseppe Roncalī) (25. XI. 1881, სოტო-ილ-მონტე, ბერგამოს მახლობლად, — 3. VI. 1963, ვატიკანი), რომის პაპი 1958—63. 1925—53 ვატიკანის წარმომადგენელი იყო სხვადასხვა ქვეყანაში. 1953—58 ვენეციის პატრიარქი, 1953-იდან — კარდინალი. Ი. XXIII-მ დაიწყო მსოფლიოში შეცვლილ ვითარებასთან კათოლ. ეკლესიის შესაგუებლად ვატიკანის ახ. პოლიტ. კურსის გატარება. გამოდიოდა სხვადასხვა საზ. წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, განიარაღებისა და სადავო საერთაშ. საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მოთხოვნით. კათოლ. ეკლესიის მიერ ახ. კურსის მისაღებად და მისი პოზიციების განსამტკიცებლად 1962 მოიწვია ვატიკანის მეორე საეკლ. კრება.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲐᲜᲩᲔᲚᲘ, XII—XIII სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი; ზნის მთავარეპისკოპოსი, თამარ მეფის თანამედროვე. მის შესახებ ჩვენამდე მოღწეული ცნობები ერთობ მწირია. ტბეთის სახარების (XII ს.) ანდერძში იგი არსენ ბერის (XI—XII სს.) ძმად იხსენიება; XII ს. ხატის (ანჩისხატის) წარწერიდან ირკვევა, რომ ის Ი. ა-ს მოუჭედინებია თამარ მეფის ბრძანებით. Ი. ა-ს ეკუთვნის აკროსტიქული საგალობელი „გალობანი ანჩისხატისანი" (კიდურწერილობა — „საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდოი იოვანე ანჩელი"), რ-იც გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1903.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლ. ჯღამაია.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (16. V. 1768, თბილისი,—15. II. 1830, პეტერბურგი), ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი; შვილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა, რ-საც 1799 წარუდგინა მოხსენება ქართლ-კახეთში, მისი აზრით, აუცილებლად გასატარებელი რეფორმების შესახებ (იხ. *იოანე ბატონიშვილის სჯულდება*). Ი. ბ-ის პროექტის მიხედვით, სხვა საკითხების მოგვარებასთან ერთად, თბილისში, გორსა და თელავში უნდა გახსნილიყო სასწავლებლები. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ Ი. ბ. რუსეთში გადასახლდა. პოლიტ. ასპარეზს მოკლებულმა, დიდი გულმოდგინებით განაგრძო სამწიგნობრო-საგანმან. მოღვაწეობა, რომ ამით მაინც მოეტანა სარგებლობა დავისი ქვეყნისათვის. მისი მთავარი ნაწარმოებია ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა" (1813—28), რ-შიც გამოვლინდა Ი. ბ-ის მრავალმხრივი განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და მხატვრული ნიჭი. თხზულება საკმაო სისრულით ასახავს საქართველოში მეცნ. ცოდნის დონეს XVIII—XIX სს. მიჯნაზე. აქ წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თითქმის ყველა დარგიდან. ზოგ შემთხვევაში მასალა თარგმნილია რუს. და უცხოური წყაროებიდან, უმეტესწილად კი ავტორი თავის დაკვირვებებს გვთავაზობს. განსაკუთრებით ფასეულია ცნობები საქართვ. ისტორიის, ქართ. ენისა და ლიტ-რის საკითხებზე, მ. შ. აღსანიშნავია „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის", რ-იც წარმოადგენს X—XVIII სს. ქართვ. მწერალთა თავისებურ ლექსიკონს. „კალმასობა" ანუ, როგორც თვით ავტორი უწოდებს, „ხუმარსწავლა", ორიგინ. ჟანრის ნაწარმოებია. მეცნ. მსჯელობანი მკითხველისათვის მოსაწყენი და ძნელად ასათვისებელი რომ არ ყოფილიყო, ავტორმა თხრობის თავშესაქცევი მანერა აირჩია. არქ.-მწიგნობრული ენით გამართულ მეცნ. ნაწილს მსუბუქი და ხატოვანი, ზომიერად მოხმობილი დიალექტიზმებით გაცხოველებული, დიალოგებით უხვად გაჯერებული თხრობითი ნაწილი ენაცვლება. სიუჟეტურ ლერძს ჰქმნის ორი მთავარი პერსონაჟი — იონა *ხელაშვილი* და მისი მხლებელი გლეხი ზურაბა ღამბარაშვილი. მათი ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის ფონზე გაშლილია მეცნ. მსჯელობანი; წარმოჩენილია საქართვ. იმდროინდელი ვითარება, დაუზოგავად არის მხილებული საზ-ბის მაღალი ფენების ზნეობრივი დაკნინება, სახელმწ. მოხელეების ანგარება და უმეცრება, სამღვდელოების ფარისევლობა. ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური ტენდენციით გამსჭვალულ თხზულებაში ქვეყნის დამლუპველ გარემოებად მიჩნეულია სავოველთაო უმეცრება, რაც ნიადაგს უქმნის ყოველგვარი ჯურის ბოროტებას. „კალმასობა" არსებითად რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით გამართული ნაწარმოებია, რ-იც ძვ. ქართ. მწერლობის უკანასკნელ და ახ. ქართ. ლიტ-რის პირველ თვალსაჩინო ძეგლად შეიძლება მივიჩნიოთ. ხელნაწერები ალმოაჩინა დ. ბაქრაძემ 1861, ტექსტი შემოვლებით გამოიცა 1862.

Ი. ბ-ს ეკუთვნის აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნ. ენციკლოპედია (1814), ყრმათა სახწავლებლად განკუთვნილი „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი" (1829); რუს.-ქართ. ლექსიკონი; ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონდან" გამოკრებილი მცირე ქართ. განმარტებითი ლექსიკონი; ნარევი ტიპის (განმარტებითი, ენციკლოპედიური, თარგმნითი) „ქართული ლექსიკონი", რ-ის მხოლოდ ნაწილია ჩვენამდე მოღწეული; ლექსად დაწერილი „მიბაძვა იოანე სინელის კიბისა" (1807), ორიგინ. თხზულებანი „პატარა ედემითა განძეეა", „აღსარება" და სხვ. თარგმნა აბატი კონდილიაკის „ლოღიკა" (1806).

თხზ.: კალმასობა, ტ. 1—2, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1936 — 48.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., იოანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან, მის წგნ.: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1952; ქ ი ქ ო ძ ე გ., ეტიუდები და პორტრეტები, გამოც. მე-2, თბ., 1958; ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე ლ., იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი", თბ., 1975.

ა. ბარამიძე.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲯᲣᲚᲓᲔᲑᲐ („წინადადებაჲ"), ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო წყობილების რეფორმების პროექტი, რ-იც *იოანე ბატონიშვილმა* წარუდგინა მეფე გიორგი XII-ს 1799 წ. 10 მაისს. პროექტის ავტორი ცდილობს „განწირულებასა შინა" მყოფ სრულიად საქართველოს უჩვენოს მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი. იგი იხილავს სახელმწ. მმართველობისა და სამხ. უწყებების რეფორმების საკითხს. მისი მიზანია სახელმწ. ხელისუფლების გაძლიერება და ფეოდალთა თვითნებობის აღაგმვა. ძეგლის მიხედვით, საქართველოს უნდა ჰყავდეს დისციპლინიანი რეგულარული არმია, მის შესაქმნელად კი საჭიროა სახელმწ. შემოსავლის გადიდება სხვადასხვა გადასახადის შემოღებით. ყოველ ათ კომლ ყმას ერთი უცოლშვილო ყმაწვილი კაცი უნდა მიეცა სახელმწიფოსათვის „თავისის პურით ხუთს წელიწადს". ასე უნდა შექმნილიყო ჯარი „ვიდრე ორი ათას კაცამდე". არმიიდან დათხოვნის შემდეგ ჯარისკაცებს ეძლეოდათ ქორწინების ნებართვა. ცალკე უნდა შექმნილიყო ცხენოსანი ჯარი. *მდევარი* არ უნდა მოშლილიყო. უნდა გაუმჯობესებულიყო არმიის შეიარაღება, შექმნილიყო არტილერია.

ძეგლში შენარჩუნებულია სახელოების მემკვიდრეობითობის პრინციპი, ამასთან საჭიროდაა მიჩნეული სამოხელეო აპარატის გარკვეული რეფორმა, ახ. სახელოების შემოღება. სჯულდება ითვალისწინებს მამულების, ქვრივოხერთა და ელჩების უფროსების, განათლების მოხელის თანამდებობებს. პროექტის ავტორი მეფეს ურჩევს ხელი შეუწყოს ქართველთა შორის ვაჭრობის განვითარებას.

აუცილებლადაა მიჩნეული ქვეყანაში ხელოსნობის განვითარება, გათვალისწინებულია თბილისში, გორსა და თელავში სასწავლებლების გახსნა, წერილების საცავის ანუ დავთარხანის და „ბიბლიოთიკის" სახლის აშენება.

სჯულდების თანახმად უნდა განვითარებულიყო საჯარო სასჯელთა სისტემა. სამშობლოს -მოღალატე — „მამულის მუხანათი" მკაცრად უნდა დასჯილიყო, მიუხედავად მისი პიროვნებისა. ძეგლის

ავტორი კაცისმკვლელთა მიმართ ვახტანგის სჯულით გათვალისწინებულ „სისხლს“ მსუბუქად მიიჩნევს და სასჯელად აწესებს მარჯვ. ხელის მოჭრას. ვინც მესამედ მოჰკლავდა კაცს, სიკვდილით უნდა დასჯილიყო.

სჯულდება მნიშვნელოვანი ძეგლია გვიანდ. შუა საუკ. საქართველოს ქოლიტ. და იურიდ. აზროვნების, ქართ. სამართლის, საქართვ. სახ. მეურნ., სამხ. წყობილებისა და განათლების სისტემის ისტ. შესასწავლად.

პუბლ.: ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ი., სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1957. *გ. ნადარეიშვილი.*

იოანე ბერაი, X ს. ქართველი კალიგრაფი, პარხლის ოთხთავისა და შატბერდის კრებულის გადამწერი. აღიზარდა და მოღვაწეობდა შატბერდის მონასტერში. პარხლის ოთხთავი (29,9×19,9 *სმ*, 259 ფურცელი, ეტრატი) გადაწერილია 973, მრგლოვანით, ორ სვეტად, სეპიის ფერი მელნით. ყოველი თავის დასაწყისში სინგურის სათაურები და ინიციალებია, ხოლო თავებისა და ზოგიერთი მუხლის ბოლოს — აინგურისავე წვრილი ჯვრები, რაც ხელნაწერს უფრო საზეიმო იერს ანიჭებს. შატბერდის კრებული (973—976) საშ. ზომის სქელი წიგნია (28×22 *სმ*, 286 ფურცელი, ეტრატი). 126 ფურცელი გადაწერილია ასომთავრულით, ორ სვეტად, ყავისფერი მელნით, ერთი ხელით. შემდეგ მთავრულს უშუალოდ აგრძელებს ნუსხური. კრებულის ამ ნაწილში სამი ხელი გაირჩევა (ალბათ აქ ი. ბ-ს ბიძა მიჭაელ მოდრეკილი და ძმა დაეხმარნენ). შატბერდის კრებულის გაფორმება მარტივი და უპრეტენზიოა. ი. ბ-ს ხელნაწერი, რ-შიაც გააზრებულია არა მარტო ცალკეული გვერდის გაფორმება. არამედ წიგნის ჭთლიანი მხატვრული სახეც, ერთი ულაჭაზესთაგანია იმ ხანის ქართ. ხელნაწერთა შორის. *ვ. ბერიძე.*

იოანე ბოლნელი, X—XI სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მქადაგებელი; ბოლნისის ეპისკოპოსი. ერთხანს ათონის ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა; გარდაიცვალა ბოლნისში. ი. ბ. ქართ. *ჰომილეტიკის* უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ჩვენამდე მოღწეული მისი ჰომილიები ძირითადად სახარების ამა თუ იმ ეპიზოდის განმარტებაა, ამასთან, ჰორალურ-ეთიკური ხასიათის შეგონებებიც შეიცავს. ი. ბ-ის ქადაგებანი ქართ. მჭევრმეტყველებისა და მხატვრული სიტყვის მაღალი ოსტატობის თვალსაჩინო ძეგლშია. ი. ბ-ის ცნობილმა ქადაგებამ „ღვინისმსმელთა და მომთვრალეთათვის“ გავლენა იქონია ს.-ს. ორბელიანის შეადგენილ ქადაგებაზე.

თხზ.: ქადაგებანი, ტფ., 1911.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე რ., იოანე ბოლნელი, თბ., 1962; კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნ., ქართული მჭევრმეტყველება, [ტ.] 1, თბ., 1975; ლ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *რ. ბარამიძე.*

იოანე გუთელი, გუთეთის (ყირიმის გუთია, ახლანდ. ყირიმის სამხრ. ნაწილი) ეპისკოპოსი დაახლ. VIII ს. შუა წლებში. იგი ბიზანტიაში (რ-ის საპატრიარქოსაც ეკუთვნოდა გუთეთის ეკლესია) წასულა საკურთხევლად, მაგრამ უკან გამობრუნებულა, რადგან იმ დროს ბიზანტიაში გავრცელებულ *ხატმებრძოლობას* არ უჭერდა ხარს. გუთეთის მთავრობამ და სამღვდელოებამ ი. გ. ქართლის კათალიკოსთან გაგზავნა, სადაც მცხეთაში ეპისკოპოსად აკურთხა *იოანე* ქართლის კათალიკოსმა. ამის შესახებ ცნობა დაცულია „დიდ სვნაქარში“ (ბერძნულიდან თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა, ხელნაწერთა ინ-ტი, A—37), რ-შიც შეტანილია ი. ბ-ის სახსენებელი დღე 26 ივნ. მოკლე ბიოგრაფიურთ. ი. ბ-ის მცხეთაში კურთხევის ფაქტი მოიშველია გიორგი მთაწმიდელმა ანტიოქიის პატრიარქთან — თეოდოსისთან (1057—59) — პაექრობის დროს ქართ. ეკლესიის დიდი გავლენისა და ავტოკეფალიის კანონიერების დასამტკიცებლად.

წყარო: გ ი ო რ გ ი მ ც ი რ ე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. *ბ. ლომინაძე.*

იოანე დამასკელი (Iōannēs Damaskēnos) (დაახლ. 675, დამასკი, — დაახლ. 753), ბიზანტიელი ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მწერალი. ბერძნული პატრისტიკის სისტემატიზატორი. ი. დ. დაიბადა არაბი ქრისტიანის ოჯახში. საეკლ. და საერო განათლება მიიღო სიცილიელი სამხ. ტყვე კოზმასაგან, რ-თან ერთად ბერად შედგა (732) იერუსალიმში საბას მონასტერში, სადაც გააწალა სალიტ. მოღვაწეობა. გარდაცვლილი, 754 საეკლ. კრებაზე შეაჩვენეს ხატთაყვანისმცემლობისათვის. ი. დ. ამოცანად ისახავდა გაეერთიანებინა მრავალფეროვანი იდეური მასალა და შეექმნა დახშული მეცნ. სისტემა. საეკლ. დოგმებისა და არისტოტელეს ლოგიკის ბაზაზე შექმნა სქოლასტ. მეთოდი. მისი მთავარი ფილოს. და თეოლ. შრომაა „წყარო ცოდნისა“ (დაახლ. 742). გავლენა მოახდინა *ალბერტ დიდზე, თომა აკვინელზე* და სხვ. მისი თხზულებანი გავრცელდა საქართველოში, ძვ. რუსეთსა და სხვა ქვეყნებში. მისმა თეზისმა თეოლოგიისადმი ფილოსოფიის დაქვემდებარებულობის შესახებ დიდი გავლენა მოახდინა დასავლური სქოლასტიკის განვითარებაზე.

ლიტ-რის ისტორიაში ი. დ. შეავიდა როგორც გამოჩენილი პოეტი, მთელი რიგი საეკლ. საგალობლების ავტორი. აღსანიშნავია მისი პოლემიკური თხზულებები ხატმებრძოლთა იაკობიტთა, მანიქეველთა, ნესტორიანელთა წინააღმდეგ, აგრეთვე მრავალი ასკეტური და დოგმატური თხზულება-ჰომილია. ბიზანტ. ჰიმნოგრაფიაში ღრმა კვალი დატოვა მისმა ე. წ. „კანონებმა“. ი. დ-ის მრავალი თხზულება ქართულად თარგმნეს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა *ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა* და სხვ. არსენ იყალთოელის თარგმანით უხვად უსარგებლია სულხან-საბა ორბელიანს „სიტყვის კონის“ შედგენის დროს. ი. დ-ის თხზულების „წყარო ცოდნისა“ ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის ფონდებში (A—24, S—1468).

თხზ.: Opera omnia, t. 1—3, P., 1860 (Patrologiae cursus completus, ser. graeca, accur. J.-P. Migne, t. 94—96); Полн. собр. творений, т. 1, СПб., 1913.

ლიტ.: მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი რ., იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973.

იოანე დუნს სკოტუსი (Joannes Duns Scotus) (1265, მაქსტონი, — 8. XI, 1308, კელნი), შოტლანდიელი ფილოსოფოსი, სქოლასტიკოსი და თეოლოგი. სწავლობდა ოქსფორდსა და პარიზში, ასწავლიდა ოქსფორდის, პარიზის, კელნისა და სხვა ქ-ების უნ-ტებში, ფრანციسკელების ორდენის წევრი. სქოლასტ. ფილოს. ფარგლებში აკრიტიკებდა *თომა აკვინელს*. მისი კვლევის მთავარი ობიექტია რელიგიისა და ფილოს., ცოდნისა და რწმენის ურთიერთობა. მისი აზრით, ფილოს. საგანი არის არსი, ხოლო რელიგიისა— ღმერთი, ამიტომ ფილოსოფია ღმერთს შეიმეცნებს, როგორც არსს. ამასთან ი. დ. ს. ამტკიცებდა ფილოს. ცოდნის შეზღუდულობას და თეოლ. ლოგიკური დასაბუთების შეუძლებლობას. მიუხედავად არათანამიმდევრობისა ი. დ. ს. იყო ნომინალისტი, ხოლო ნომინალიზმი საშ. საუკუნეებში, როგორც კ. მარქსი ამბობს, „მატერიალიზმის პირველ გამოხატულებას“ წარმოადგენდა. იგი უარყოფდა ზოგადი ცნებების მეტაფიზ. მნიშვნელობას და შემეცნების გენეზისის საკითხში *სენსუალიზმისაკენ* იხრებოდა. ი. დ. ს-ს მატერია ესმის როგორც განუსაზღვრელი, ბუნებაში ყოველგვარი არსებულის ერთიანობის პირობა, რ-იც გარკვეულობას ფორმასთან შეერთებით იძენს. ფორმა ობიექტურად არსებობს. იგი ინდივიდუალობის საფუძველია. ტრადიციული არისტოტელური ფილოსოფიისაგან განსხვავებით, მის მოძღვრებაში პოტენციალურის გარდა შეიმჩნევა აქტუალური უსასრულობის აღიარებაც. *ს. ავალიანი.*

იოანე ზედაზნელი, ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი, სახელგანთქმული სირიელი საეკლ. მოღვაწე. საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში, თან მოიყვანა მრავალი მოწაფე (იხ. *ასურელი მამები*). ჯერ მცხეთაში ცხოვრობდა, შემდეგ მცხეთის მახლობლად, მდ. არაგვის გაღმა, ზედაზნის მთაზე ააშენა მონასტერი, საიდანაც თავისი მოწაფეები დაგზავნა ქართლისა და კახეთის მხარეებში ქრისტიანობის გასამტკიცებლად და გასავრცელებლად, ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად. ი. ზ-ს საქართველოში მოსვლიდანვე დახმარებასა და მფარველობას უწევდა ქართლის კათალიკოსი *ევლალე*. ი. ზ-ის მოღვაწეობა აუწერიათ VI—VII სს-ში, მაგრამ თხზულებას ჩვენამდე არ მოულწევია. X ს-ში მისი ცხოვრება აღწერა კათალიკოსმა არსენ II-მ, რ-საც გამოუყენებია ძვ. ტექსტი. მის შესახებ ცნობებს შეიცავს შიო მღვიმელის მეტაფრასული „ცხოვრებაც“

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.



იოანე ბერაი.

იოანე დუნს სკოტუსი.

იოანე ზონარა (Iōannēs Zonaras) (დ. წ. უცნობია, — 1159 შემდეგ), ბიზანტიის პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და ისტორიკოსი. იყო იმპ. ალექსი I კომნენოსის წარჩინებული კარისკაცი. ავტორია „შემოკლებული ისტორიისა“, რ-იც მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 1118-მდე. ფართოდ იყენებს ანტ. და შუა საუკ. ავტორებს (პირველ რიგში დიონ კასიოსის „რომის ისტორიას“ და ბიზანტ. ისტორიკოსებს). განსაკუთრებით ბევრ ორიგინალურ მასალას გვაწვდის მისი თხზულება XI—XII სს. მიჯნის ბიზანტ. ისტორიისათვის. ი. ზ-ს თხზულებაში საკმაოდ ბევრი მასალაა საქართველოს შესახებ (პომპეუსის ლაშქრობა, იოანე ოქროპირის გადასახლება ბიჭვინთაში, ლაზიკის მეფე წათეს შესახებ და სხვ.). იგი უმთავრესად სხვა ავტორთა ცნობებს იმეორებს, მაგრამ დამატებითი მონაცემებითაც ავსებს. ი. ზ-მ შეადგინა აგრეთვე კანონიკური სამართლის კრებული კომენტარებით, განმარტებითი ლექსიკონი; წერდა საეკლ. ლექსებს.

თხზ.: Epitomae historiarum, v. 1—6, Lipsiae, 1868—75; libri XIII—XVIII, v. 3, Bonnae, 1897; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 6, თბ., 1966 (ტექსტი მოამზადა მ. კახაძემ). *ნ. ლომოური.*

იოანე-ზოსიმე, X ს. ქართველი სასულიერო მწერალი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. მის შესახებ შეტად მწირი ბიოგრ. ცნობები მოგვეპოვება. როგორც სინის მთის ქართ. ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ საბაწმიდის ლავრაში, ხოლო X ს. 70-იანი წლებიდან — სინის მთაზე. ი.-ზ-ს ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „საგალობელნი იადგარნი“ (Sin—34), რ-იც სხვადასხვა ლიტურგიკული ძეგლიდან გამოკრებილ თხზულებათა კრებულია. ორიგინ. თხზულებათაგან აღსანიშნავია ცხოველი პატრიოტიზმით გამსჭვალული საგალობლები „ქებაჲ ქართუ-



ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲔᲡᲕᲔᲢᲔ. ᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲘ. XI Ს. ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

ლისა ენისაᲲ“ და „ქართულისა ენისათვს“ (გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ 1924, ჟურნ. „კავკასიონი“, № 1—2). Ი.-Წ-ს წვლილი მიუძღვის ხელნაწერთა დამზადება-გამრავლებაშიც. იგი ცნობილია როგორც ხელნაწერთა „განმაცხოველებელი“, „შემმოსელი“, „მომგებელი“ და ტექსტის „მიჩრეკალი“.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე პ., ქართული ანბანიკოს შესახებ, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1943, ტ. 4, № 6; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ლ. ჯღამაია.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲘᲢᲐᲚᲝᲡᲘ (Iōannēs Italos) (XI ს. II ნახ.), ბიზანტიელი ფილოსოფოს-რაციონალისტი. განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. 1085 მიენიჭა ფილოსოფოსთა იპატოსის წოდება და დაინიშნა კონსტანტინოპოლის უნ-ტის რექტორ-პროფესორის თანამდებობაზე. ამ მოვალეობას ასრულებდა 28 წლის მანძილზე. 1083 ალექსი კომნენოსმა ბრალად დასდო საერო და საეკლ. ხელისუფლებისადმი უპატივცემლობა, რის გამოც ეკლესიამ იგი შეაჩვენა, შემდეგ კი ბერად აღკვეცეს. Ი. Ი-ის ფილოს. კონცეფცია წარმოადგენს არისტოტელეს იდეების პლატონიზმთან შერწყმის ცდას. ჩვენამდე მოღწეულია ფილოს. შინაარსის 99 ტრაქტატი. აქედან 64 წარმოადგენს წერილს, რ-ის ადრესატია იტალოსის მოწაფე *თეანე პეტრიწი*.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲙᲘᲜᲐᲛᲝᲡᲘ (Iōannēs Kinnamos), ბიზანტიელი ქრონისტი. ცხოვრობდა XII ს-ში. იყო იმპ. მანუელ I კომნენოსის მდივანი და დაახლოებული პირი. მისი ისტ. ქრონიკა „შემოკლებული ისტორია“ მოიცავს 1118—76 ამბებს. მასში მანუელ I-ის გაზეიადებულ ქებასთან ერთად მოცემულია ბევრი საინტერესო ცნობა, რ-თა უმეტესობა ოფიც. დოკუმენტებს ემყარება. აქვს ცნობები XII ს. საქართვ.-ბიზანტ. ურთიერთობის შესახებ, საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ამ დროის ტრაპიზონს.

თხზ.: Epitome rerum ab Ioanne et Alexio Comnenis gestarum, Bonnae, 1836; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966. *ნ. ლომოური.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲙᲣᲛᲣᲠᲓᲝᲔᲚᲘ, კუმურდოს ეპისკოპოსი X ს-ში. მისი თაოსნობით აშენდა კუმურდოს დიდი საკათედრო ტაძარი. Ი. Ჯ. მოხსენიებულია ტაძრის 964—967 სამშენებლო წარწერაში. შემდეგ მოღვაწეობდა სინის მთის ქართველთა მონასტერში, სადაც თავისი ხარჯით და თაოსნობით გადააწერინა არა ერთი ხელნაწერი (სვიმეონ სალოსის ცხოვრება, იადგარი გამოკრებილი და სხვ.).

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947. *ბ. ლომინაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲚᲐᲨᲘ ი ო ა ნ ე ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, მ ი თ რ ი დ ა ტ ე, ი ე რ ო თ ე ო ს ი (გ. დაახლ. 464—65, სირია), ქართველი ფილოსოფოს-თეოლოგი, *პეტრე იბერის* თანამოაზრე და მეგობარი. ცხოვრობდა საქართველოსა და კონსტანტინოპოლში, სადაც თანამშრომლობდა პროკლე დიადოქოსთან. პეტრე იბერთან ერთად ითვლება *არეოპაგიტიკის* ავტორად.

ლიტ.: ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Тб., 1942; ᲰᲝᲜᲘᲒᲛᲐᲜ Ე., Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита, пер. с франц., вступ. ст. Ш. Нудубидзе, «თსუ შრომები», 1955, ტ. 59.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲐᲚᲐᲚᲐ (Iōannēs Malālas) (დაახლ. 491—578), ბიზანტიელი ქრონისტი. წარმოშობით სირიის ანტიოქიიდან იყო. მისი ზედწოდება (სირიულად malal — რიტორი) მოწმობს, რომ ვექილი იყო. Ი. Მ-ს საისტ. თხზულება „ქრონოგრაფია“ მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 563-მდე (შესაძლებელია 573-ით ნთავრდებოდა, მაგრამ ხელნაწერის ბოლო დაკარგულია). განსაკუთრებით საყურადღებოა თხზულების ის ნაწილი (XVIII წიგნი), რ-შიც ავტორი თანამედროვე ამბებს აღწერს; აქ იგი სანდო ისტორიკოსად წარმოგვიდგება. Ი. Მ-ს „ქრონოგრაფია“ შემდგომ ხანებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასში არის საინტერესო ცნობები სლავური ქვეყნების ისტორიისათვის, აგრეთვე საქართვ. ისტორიის, კერძოდ, VI ს-ში დას. საქართველოს ურთიერთობის შესახებ ბიზანტია-ირანთან. თხზულება თარგმნილია სლავ. და ქართ. ენებზე.

თხზ.: Chronographia, Bonnae, 1831; [წიგნში] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3. თბ., 1936. *ნ. ლომოური.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲔᲡᲮᲔᲢᲘ, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მოღვაწეობდა ჭყონდიდში (მარტვილი). 1031 გადაწერა ჰაგიოგრაფიული კრებული. 1050 მონაწილეობდა მარტვილის ოთხთავის გადაწერაში. ჰაგიოგრაფიული კრებული (17,3×12,2 *სმ*, 117 ფურცელი) ნაწერია ყავისფერი მელნით, ერთ სვეტად, კუთხოვანი ნუსხურით. ასოები ნუსხურისათვის ძალიან მსხვილია. სათაურები დაწერილია სინგურით, მთავრული ასოებით. წიგნი მარტივად და უპრეტენზიოდ არის გაფორმებული. Ი. Მ-ს ეკუთვნის მარტვილის ოთხთავის (29×19 *სმ*, ეტრატი) მეორე ნაწილიც (133 ფურცელი). ნაწერია ნუსხურით, ორ სვეტად, სპეციფიკური მელნით. გადაწერაში მონაწილეობა მიუღია ვინმე არსენსაც. შესაძლოა მოჩუქურთმებული საზედაო ასოები მისი შესრულებული იყოს. *ვ. ბერიძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ, ქართლის პირველი ეპისკოპოსი IV ს. 30—40-იან წლებში. ქართ. წყაროების მიხედვით, Ი. Მ. მოიწვია ბიზანტიიდან ქართლის მეფემ მირიანმა. მას თან ხლებია 2 მღვდელი და 1 დიაკონი, რ-ებსაც საეკლესიო წესით მოუნათლავთ ნინოს მიერ ახალგაქრისტიანებული მეფე, მისი სახლობა, წარჩინებულნი და დანარჩენი მოსახლეობა. Ი. Მ-ს მონაწილეობა მიუღია მცხეთის საეპისკოპოსოს ჩამოყალიბებაში, მისი მონაწილეობითა და ზრუნვით აღუმართავთ სალოცავი ჯვრები, აუშენებიათ ეკლესიები, მიუღიათ ზომები ქრისტ. რელიგ. გასავრცელებლად ახ. მხარეებში.

წყარო: ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; მოქცევაᲲ ქართლისაᲲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963. *ბ. ლომინაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲓᲔᲚᲘ (ა თ ო ნ ე ლ ი) (დაახლ. 920—1005), ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნობარი. ერისკაცობაში — სამცხის ერთ-ერთი დიდებულთაგანი — ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი. ბერად შედგა ოთხთა ეკლესიის ლავრაში. შემდეგ ბიზანტიაში, ოლიმპის მთაზე მოღვაწეობდა, სადაც მიიყვანა თავისი მცირეწლოვანი შვილიც, შემდეგში *ექვთიმე მთაწმიდელი*. 965 ექვთიმესა და რამდენიმე მოწაფესთან ერთად გადასახლდა ათონის მთაზე, ათანასე დიდის ლავრაში. ქართველებმა ჯერ იოანე მახარებლის ეკლესია ააშენეს, შემდეგ კი დამკვიდრდნენ *ათონის ივერთა მონასტერში*, რ-ის აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი Ი. Მ. იყო. მისი ბიოგრაფის გიორგი მთაწმიდლის გადმოცემით, Ი. Მ-მა, რ-საც დიდი წვლილი მიუძღვის ექვთიმეს განსწავლაში, ლიტ. მოღვაწეობისაკენ მოუწოდა მას: „ქართლის ქვეყანაᲲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა, აწ იღუაწე, რაᲲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.

წყარო: გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხორებაᲲ იოანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმ., რედ. ა. შანიძე, თბ., 1946.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1945. *ვ. ბაკაშვილი.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲘᲜᲩᲮᲘ, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი; დას. საქართველოს (აფხაზეთის) მეფის გიორგი II-ის (922—957) თანამედროვე. წარმოშობით დას. საქართველოდან, სოფ. ინჩხიდან ყოფილა, რაზეც ჰისი ზედწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში, სინის მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სწორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978—988) მოთავსებულია იამბიკური საზომით დაწერილი Ი. Მ-ის 4 საგალობელი (გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1947). ქართ. ჰიმნოგრაფიაში მან შემოიღო ახ. სალექსო ფორმა *მინჩხური*.

თხზ.: [წიგნში] ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წგნ. 1—ტექსტები, ტფ., 1913; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., თხზ. კრებული ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *ლ. ჯღამაია.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲝᲡᲮᲘ (დაახლ. 550 — დაახლ. 634), ბიზანტიელი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბევრს მიგზაურობდა სირია-პალესტინის ქრისტ. კერებში თავის მოწაფესთან სოფრონ პალესტინელთან ერთად. ადრიდანვე ჩაჩნდათ, რომ იგი წარმოშობით მოსხი ანუ მესხი იყო (როსვეიდი, ალოიზიუს ლიპომანუსი); ეს აზრი შემდეგ განავითარეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, რ-ებიც თვლიდნენ, რომ Ი. Მ. თავის თხზულებებს ბერძნ. და ქართ. ენებზე წერდა. შ. ნუცუბიძის აზრით, მას ეკუთვნის აგრეთვე ქართ. მოკლე რედაქცია თხზულებისა „სიბრძნე ბალავარისა“. Ი. Მ-ის სახელთანაა დაკავშირებული ბიზანტ. ლიტ-რაში ნოველის ჟანრის დამკვიდრება. ჩვენამდე მოაღწია მისი ნოველების კრებულმა, რ-საც ბერძნ. ვერსიაში „ლიმონარი“ („მდელო“), ხოლო ქართ. ვერსიაში „სამოთხე“ ეწოდება. არსებობს აგრეთვე არაბ. ვერსია „ბუსთანის“ სახელწოდებით. ბერძნ. და ქართ. ვერსიების უძველესი ხელნაწერები X ს-ით თარიღდება.

თხზ.: ლიმონარი, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1960; ალ-ბუსთანი, რ. გვარამიას გამოც., თბ., 1965.

ლიტ.: Н у д у б и д з е Ш. И., К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф», Тб., 1956. *რ. მიქინოშვილი.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲢᲐᲕᲐᲠᲘ, X ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი. როგორც ტბეთის სახარების (995) მინაწერიდან ჩანს, 978-იდან ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა, 995 კი მაწყვეტელად დაუდგენიათ. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978—988) დაცულია VII—IX სს. ბერძენ ავტორთა ჰიმნების თარგმანები, რ-ებიც Ი. Მ-ს ეკუთვნის. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართ. ჰიმნოგრაფიული ტერმინი *მოკაზმული*.

ბიბლ. იხ. სტ-თან ი ო ა ნ ე ᲛᲘᲜᲩᲮᲘ. *ლ. ჯღამაია.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ, სახარებების (მათე, მარკოზი) თანახმად, იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რ-მაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. ცხოვრობდა უდაბნოში (ბიბლიაში ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს ილიას); ამხელდა საზ-ბის ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისაკენ; მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე იესო ქრისტე მდ. იორდანეში. იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I ს.) ცნობით, Ი. ნ. *ჰეროდე I-ის* (I საუკ. I ნახ.) თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის ჰეროდიადას საამებლად Ი. ნ. საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. სინამდვილეში Ი. ნ-ის „კულტი

ქრისტიანობაში უფრო ადრინდ. ებრ. სექტიდან უნდა შესულიყო.

Ი. ნ-ის თემა აისახა მხატვრობასა (ა. ვეროკიო, ლეონარდო და ვინჩი, პ. ბრეიგელი, ა. ივანოვი) და ქანდაკებაში (დონატელო, ო. როდენი და სხვ.). შუა საუკ. ხატწერაში Ი. ნ. ვედრების (ქრისტე, ღვთისმშობელი, Ი. ნ.) კომპოზიციის ერთ-ერთი აუცილებელი ფიგურა იყო.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲠᲤᲐᲜᲝᲗᲠᲝᲤᲝᲡᲘ (Iōannēs Orphanotrophos) (გ. 1043), ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე. წარმოშობით პაფლაგონიელი, საჭურისი. დაწინაურდა იმპ. რომანოზ III-ის დროს; Ი. O-ის წყალობით დაწინაურდნენ მისი ძმებიც; ერთმა, — მიქაელმა, შემდგომში ცოლად შეირთო რომანოზ III-ის ქვრივი ზოია და იმპერატორი გახდა (მიქაელ IV). იმპერიას ფაქტობრივად Ი. O. განაგებდა. ატარებდა კონსტანტინოპოლის მსახურეული და სავაჭრო ზედაფენისათვის ხელსაყრელ პოლიტიკას. მისმა პოლიტიკამ მსხვილ ფეოდალთა ოპოზიცია გამოიწვია. მიქაელ IV-ის სიკვდილის შემდეგ Ი. O-მა ტახტზე აიყვანა თავისი დისშვილი მიქაელ V კალაფატი, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი გადაასახლა. Ი. O. გარდაიცვალა გადასახლებაში. *ნ. ლომოური.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ (Iōannēs Chrysostomos) (344 და 354 შორის, ანტიოქია,— 14. IX. 407, კომანის ახლოს, პონტო), ქრისტიანული ეკლესიის ბიზანტიელი მოღვაწე, „ეკლესიის მამათაგანი", მწერალი, ბრწყინვალე ორატორი. კონსტანტინოპოლის პატრიარქი 398-იდან. მიიღო საფუძვლიანი განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ წარმართი ფილოსოფოსი ლიბანიოსი და თეოლოგი დიოდორუს ტარსუსელი. გამოდიოდა *არიანელობის* წინააღმდეგ. აქტიურად ერეოდა საერო და სას. ხელისუფალთა შორის ბრძოლაში, ბიზანტ. პოლიტ. ცხოვრებაში, რის გამოც ორჯერ (403 და 404) გადააყენეს პატრიარქობიდან და გადაასახლეს კუკუსოში („მცირე არმენია"), აქედან კი 407 — ბიჭვინთაში. Ი. O. გარდაიცვალა გზაში, კომანის ახლოს. Ი. O-ის მდიდარი ლიტ. მემკვიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია ქადაგებებმა, რ-ებიც კარგად წარმოგვიდგენენ ფეოდალიზაციის გზაზე მდგარი ბიზანტ. საზ. ყოფას. Ი. O. დაურიდებლად ამხელდა საზ. ცხოვრების მანკიერ მხარეებს, საერო და საეკლ. ხელისუფალთა უსამართლობას. როგორც ყველაზე დიდი „საეკლესიო მამა", ორატორი, ოქროპირი, იგი მეტად პოპულარული იყო ბიზანტ. მწერლობაში. Ი. O-ის შემოქმედებას კარგად იცნობს ძვ. ქართ. მწერლობაც.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამომძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, «ენიმკის მოამბე», 1944, ტ. 14.
რ. მიმინოშვილი.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘ, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დაახლ. 1033—48. ადრე მოღვაწეობდა კალიპოსად და ათონის მონასტრებში იოანე და ექვთიმე მთაწმიდელებთან. კარგი მქადაგებელი ყოფილა, ამიტომაც უწოდებიათ ოქროპირი. Ი. O-ს დაუმტკიცებია მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქის მიერ მცხეთის სვეტიცხოველისათვის ბოძებული „დაწერილი". აუგია ფოკის (ისტ. ჯავახეთი) უკლესია, რ-ის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულია თვითონ. ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობაში" Ი. O. დახასიათებულია როგორც გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე.

ლიტ.: ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მცხეთის საბუთი XI საუკუნის, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 1967; ᲒᲘᲡᲙᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959. *ბ. ლომინაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲐᲕᲚᲔ, რომის პაპები. **Ი. პ. I,** ქრისტიანობაში ალბინო ლ უ ჩ ა ნ ი (Luciani) (17. X. 1912, ფონნო დი კანალეგ, ვენეციის ოლქი, — 28. IX. 1978, ვატიკანი, რომი), 263-ე პაპი (26. VIII.—28. IX. 1978). დაიბადა სოციალისტ მუშა-კალატოზის ოჯახში. 1935 ეკურთხა მღვდლად. 1973-იდან კარდინალი. საეკლესიო მწერალი. პაპობის ისტორიაში პირველმა მიიღო ორი სახელი, ნიშნად იმისა, რომ სურდა ორი წინამორბედი პაპის — იოანე XXIII-ისა და პავლე VI-ის საქმეთა გაგრძელება.

Ი. პ. II, ერისკაცობაში კაროლ ვ ო ი ტ ი ლ ა (Woityla) (დ. 18. V. 1920, ვადოვიცე, კრაკოვის მახლ.), 264-ე პაპი, აირჩიეს 16. X. 1978. პირველი პოლონელი პაპის ტახტზე. 1946 ეკურთხა მღვდლად. 1967-იდან კარდინალი. ცნობილია როგორც ავტორი მრავალი თხზულებისა ეთიკურ პრობლემებზე და პუბლიკაციებისა პოლ. კათოლიკურ პრესაში.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘ, XI—XII სს. ქართველი ფილოსოფოსი, ნეოპლატონიკოსი (გადმოცემით იოანე ფილოსოფოს ჭიმჭიმელსაც უწოდებდნენ). ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მხოლოდ XVIII ს. მწიგნობარნი იუწყებიან, რომ Ი. პ. სამცხიდან იყო, დიდგვაროვანი ჩამომავლობისა. ახალგაზრდობაში სწავლობდა კონსტანტინოპოლში, მანგანის აკადემიაში, სადაც მას ასწავლიდნენ ბიზანტ. რენესანსის წარმომადგენლები: *მიქაელ ფსელოსი* და *იოანე იტალოსი*. Ი. პ-ს აქტ. მონაწილეობა მიუღია იდეურ მობრაობაში, რ-საც იტალოსი მეთაურობდა. იტალოსის გასამართლებისა (1083) და მისი მიმდევრების დევნის შემდეგ Ი. პ. *პეტრიწონის მონასტერში* გადასახლდა. ერთ ხანს შავ მთაზე *ეფრემ მცირესთან* იყო, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სათაგეში ჩაუდგა *გელათის აკადემიას*. Ი. პ-ის ფილოს. მემკვიდრეობა წარმოდგენილია თარგმანებითა და ორიგინ. თხზულებით („განმარტება პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისად"). თარგმნა არისტოტელეს ორი თხზულება: „ტოპიკა" და „განმარტებისათვის" („პერი-ჰერმენეია"), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა" (გამოიცა 1914), პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი" („თეოლოგიის ელემენტები"), ამონიოს ჰერმიას „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისა" და „მოსახსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისთა" (ზოგი მეცნიერი ამ უკანასკნელი თხზულების მთარგმნელად თვლის იოანე ტარიჭისძეს). არისტოტელეს ტრაქტატთა თარგმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია. „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის" პეტრიწისეული თარგმანი უძველესად ითვლება პროკლეს თხზულების მსოფლიოში ცნობილ თარგმანთა შორის. Ი. პ-ის „განმარტება" შედგება შესავლის, პროკლეს „კავშირთა" 211 თავისადმი დართული შესავლის, ვრცელი კომენტარებისა და ბოლოსიტყვაობისაგან.

Ი. პ-ის ფილოს. შეხედულებანი განსაზღვრულია არა იმდენად ანტ. ფილოს. მემკვიდრეობით, რამდენადაც XII ს. ქართ. კულტურული და იდეური სფეროთი, საერო განწყობილებათა და მისწრაფებათა მზარდი აღმავლობით, რაც ყველაზე თანამიმდევრულად რუსთაველის ჰუმანიზმში გამოიხატა.

ჰუმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი იდეაა ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების აღიარება, რაც, თავის მხრივ, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევას გულისხმობს. Ი. პ-ის, როგორც ფილოსოფოსის, ისტ. მოწოდება ამ იდეის თეორ. დასაბუთება იყო. ეს ამოცანა მის ფილოს. ნააზრევში გადაწყვეტილია ანტ. იდეების, კერძოდ, ნეოპლატონიზმის (პროკლეს) საფუძველზე.

ა რ ს ი, Ი. პ-ის მიხედვით, მთლიანობაა, რ-ის უმაღლესი საფეხური „ყოველთაგან ზესთ მდებარე" ღმერთია, ხოლო ყველაზე დაბალი—ხილული სამყარო. უმაღლესი მიზეზისაგან სამყაროს „წარმოარსება" ნეოპლატონიზმში და Ი. პ-თან ემანაციის (გამომდინარეობის, პეტრიწის ტერმინებით: „არსებითი გზავნაის", „წარმოობის", „წარმოქმნის", „წარმოარსების") ცნების საფუძველზე ხდება. ემანაცია ხორციელდება შუალედი საფეხურების მეშვეობით. პირველ მიზეზსა და ხილულ სამყაროს შორის მოთავსებულია ღვთაებრივი რიცხვების, გონისა და სულის საფეხურები. პირველმიზეზი ზეარსია, არსებობაზე აღმატებული და „უცნაური" (შეუცნობელი). მისი განსაზღვრება მხოლოდ მიახლოებით შეიძლება და პრედიკატი, რ-იც მას მიეწერება, არის სიკეთე.

Ი. პ-ის ფილოს. მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი მხარეა შეხედულება მიზეზობრიობაზე, რ-იც ვრცელდება პირველმიზეზებსა და სამყაროს შორის არსებულ კავშირებზე. კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის ტრიადულია და სამი მიმართების მთლიანობას წარმოადგენს. პირველი მათ შორის იგივეობისა და მსგავსების მიმართებაა. ამ საფეხურზე შედეგი მიზეზშია, იგი არსებობს „თვისსა მიზეზსა შორის" და განუსხვავებელია მიზეზისაგან. მეორე მიმართება შედეგის გამოყოფაა, მისი განსხვავება, განცალკევება, „სხვად" ყოფნა". ამ მიმართებით მოიპოვებს წარმოებული არსი საკუთარ არსებობას. ამგვარად, შედეგი განსხვავებულიცაა მიზეზისაგან და მისი იგივეობრივიც, მსგავსიც. მიზეზსა და შედეგს შორის არსებული დიალექტ. მიმართების გარკვევის მიზნით Ი. პ-ს შემოაქვს ცნება, რ-ის მიხედვით, შედეგი მიზეზთან მიმართებაში არის „იგივე სხვა". მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ამგვარი გაგება იძლევა საფუძველს არსის პირველმიზეზში, საწყისში უკუდაბრუნებისათვის, რაც ამთავრებს არსის მთლიანობას და ჰკრავს Ი. პ-ის ფილოს. სისტემას. პირველმიზეზისა და სამყაროს მიმართების პეტრიწისეული გადაწყვეტა მიდის სამყაროს მარადიულობისა და მისი წარმოქმნის აუცილებლობის აღიარებამდე. მესამე საფეხურია ინტუიცია, რ-იც გონის მეშვეობით ხორციელდება. ამ შემთხვევაში შემეცნების საგანი თვით აზროვნებაშია მოცემული და შემეცნება საგნის „მარტივად", უშუალოდ წვდომის შედეგადაა მიჩნეული.

Ი. პ-მა ფილოს. ნაშრომების გარდა დაგვიტოვა მნიშვნელოვანი თარგმნილი და ორიგინ. ლიტ. მემკვიდრეობა: მან ბერძნულიდან ხელახლა თარგმნა ბიბლიური წიგნები და იოანე სინელის „კლემაქსი" („ციბე"). ბერძნულიდანვე გადმოაქართულა მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული საკითხვები—წმინდანთა ცხოვრებანი და წამებანი (მაგ., ცნობილია თეოდორა ალექსანდრიელისა და მერკურის „ცხოვრებანი", ზოსიმესა და ბარბარეს „მარტვილობანი"), აგრეთვე იოსებ ფლავიუსის საისტორიო შრომა „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყვაადასაბამობისანი" („მსოფლიო ისტორია იოსიპოსისაჲ"), რ-ის თხუთმეტმა წიგნმა ჩვენამდე მოაღწია და სხვ. Ი. პ-მა დაწერა ორიგინ. ასკეტიკურ-მისტ. პოეტური ტრაქტატი „სათნოებათა კიბე", რ-საც საფუძვლად დაედო „კლემაქსის" ექვთიმე მთაწმიდლისეული ქართ. თარგმანი. გალექსა „სათვეო სუნაქსარი" ანუ „გალობანი ყოველთა წმიდათანი". მასვე მიაკუთვნებენ მცირე ზომის იამბიკურ ლექსებს, რ-თაგან ზოგს ჩვენამდე არ მოუღწევია.

Ი. პ-მა შექმნა ლიტ. სკოლა, აღზარდა მრავალი მოწაფე, გამოუჩნდნენ მიმდევრებიც. თავისებურია მისი ენა და სტილი. იგი ქმნიდა ახ. ფილოს. ტერმინოლოგიას, ბერძნ. დედანთან ზუსტი მიმართების მიზნით უხვად იყენებდა ქართ. ენის ბუნებისათვის შეუფერებელი მიმღეობიანი კონსტრუქციების წინადადებებს, რაც ართულებდა მის სამწერლო ენას. Ი. პ-მა დიდი გავლენა მოახდინა ძვ. ქართ. ფილოს. აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტ.



იოანე პეტრიწი. მოქანდაკე ი. ოქროპირიძე. 1961. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მწერლობაზე, განსაკუთრებით კი ანტონ I-ის ლიტ. სკოლაზე.

თხზ.: შრომები, შ. ნუცუბიძის და ს. ყაუჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1937—40; სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1968; **Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха**, пер. и исследование И. Д. Панцхава, Тб., 1942; [წიგნში], **Антология мировой философии**, т. 1, ч. 2, М., 1969, с. 663—668.

ლიტ.: გოგიბერიძე მ., რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები, თბ., 1961, კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 11, თბ., 1972; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; კუკავა თ., იოანე პეტრიწის მსოფლმხედველობა, თბ., 1971; მისივე, იოანე პეტრიწის წიგნი „ათორ თვისა“ („პროლოღია“), თბ., 1978; მელიქიშვილი დ., იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1973; ხიდაშელი შ., გნოსტიკური შეხედულებანი ქართულ ნეოპლატონიზმში (არეოპაგიტიკა და პეტრიწი), კრ.: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, [ტ.] 1, თბ., 1969; მისივე, იოანე პეტრიწი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1956; **Марр Н. Я., Иоанн Петрицский—грузинский неоплатоник XI—XII века**, СПб., 1909. *ი. ლოლაშვილი.*
შ. ხიდაშელი.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲠᲔᲡᲑᲘᲢᲔᲠᲘ, შუა საუკუნეებში გავრცელებული ლეგენდების თანახმად, ძლევამოსილი ქრისტიანი მეფე-მღვდელმთავარი აღმოსავლეთში, უძველესი ცხობით (1145), რ-იც ოტო ფრაიზინგელს (XII ს.) მოეკუთვნება, Ი. Პ. ცხოვრობდა სპარსეთს იქით. მან დაამარცხა სპარსეთისა და მიდიის მეფეები, შემდეგ კი იერუსალიმისაკენ გაემართა ჯვაროსანთა დასახმარებლად. შემდგომი დროის წერილობითი ძეგლებისა და მკვლევართა მიხედვით, Ი. Პ-ის სამფლობელო მდებარეობდა აზიაში, ეთიოპიასა ან ინდოეთში, მისი რეალური პროტოტიპი კი რ-იმე აქაური მმართველი იყო. არის მოსაზრება, რომ Ი. Პ-ის ლეგენდარული ტიპი უნდა ჩამოყალიბებულიყო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რ-მაც XII ს. I ნახევარში დას. ევროპაში დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის შესახებ შეაღწია. *შ. ბადრიძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ, VIII ს. ქართველი მწერალი, ჰაგიოგრაფი; ავტორი „აბო თბილელის წამებისა“, რ-შიც აღწერილია არაბი ჭაბუკის აბოს მარტვილობა, ქრისტიანობისათვის მისი თავდადება. აბო არაბეთიდან ქართლში გამოჰყვა ნერსე ერისთავს, აქ იგი გაეცნო ქრისტ. სარწმუნოებას, უარყო მაჰმადიანობა და მიიღო ქრისტიანობა. არაბებმა რამდენჯერმე დაატიმრეს, მოსთხოვეს რჯულის უარყოფა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის წამებით მოკლეს 786. აბოს წამებას დიდი საზ. რეზონანსი ჰქონდა. ქართ. ეკლესიამ წმინდანად შერაცხა იგი. ქართლის კათალიკოსმა სამოელმა (780—790) საგანგებო წერილით მიმართა Ი. Ს. Ძ-ს, აბოსთან დაახლოებულ პირს, და მისი წამების აღწერა სთხოვა. Ი. Ს. Ძ-მ ქართ. ჰაგიოგრაფიული მწერლობის ბრწყინვალე ძეგლი შექმნა (786—790), თხზულებას წაუმძღვარა სამოელ კათალიკოსის ეპისტოლე და თავისი პასუხი. კათალიკოსის მოკრძალებული ტონი გვაფიქრებინებს, რომ Ი. Ს. Ძ. საერო პირი უნდა ყოფილიყო. იგი დიდად განათლებული პიროვნება, სას. მწერლობის კარგი მცოდნე და გაწაფული მწერალი ყოფილა. სავარაუდოა, Ი. Ს.Ძ-ს ეკუთვნოდეს აგრეთვე ერთი ძველი საგალობელი აბო თბილელის შესახებ, შემონახული ჭილეტრატის იადგარში (IX—X სს.; ხელნაწ. ინ-ტი, H—2123).

„აბო თბილელის წამება“ ძვ. ქართ. პროზის შესანიშნავი ძეგლია. იგი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით არის დაწერილი და 4 თავისაგან შედგება. I თავი დამრიგებლობითი ხასიათისაა, საუბარია აბოს მარტვილობის მნიშვნელობაზე, II და III თავებში აღწერილია აბოს ქართლში მოსვლა, მისი მოღვაწეობა და მოწამეობრივი აღსასრული; IV თავი ჰიმნოგრაფიულ ხასიათს ატარებს და შეიცავს აბო თბილელის ქებას. თხზულების ეს ნაწილი ქართ. ორიგინ. ჰიმნოგრაფიის უძველესი ნიმუშია. აბოს მარტვილობის აღწერით Ი. Ს. Ძ-მ მიზნად დაისახა ეროვნ. თვითშეგნების განმტკიცება. ქართველთა ეროვნ. გადაგვარების მიზნით არაბები ქართველებში მაჰმადიანობას ავრცელებდნენ. ასეთ ვითარებაში არაბი აბო თბილელის ქრისტ. სარწმუნოებაზე მოქცევა დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო. Ი. Ს. Ძ-ს ეროვნ. თვითმყოფობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად ქრისტ. სარწმუნოების ერთგული დაცვა მიაჩნია. აბოს წამების ფაქტი მან გამოიყენა მაჰმადიანობასთან შედარებით ქრისტიანობის უპირატესობის დასადასტურებლად და ეროვნ.-სარწმუნოებრივი სიამაყის გრძნობის გასაღვივებლად. მის თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა ბატონობით შევიწროებული და ეროვნ. გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგომი ქართველებისათვის. Ი. Ს. Ძ-თვის დამახასიათებელია მკაცრად გააზრებული კომპოზიცია, თხრობის ლაღი და ხატოვანი მანერა, ღრმა დრამატიზმი. თხზ. შესანიშნავი ისტ. წყაროა VIII ს. ქართლის პოლიტ.-ეკონ. ცხოვრების, ეროვნ.-სარწმუნოებრივი იდეალების, საზ. ყოფის შესასწავლად. მოღწეულია X ს. ხელნაწერით. პირველად გამოსცა მ. საბინინმა (1882), მეორედ — კ. კეკელიძემ (1935), რ-მაც თხზ. თარგმნა რუსულად (1956). გერმანულად თარგმნა შულცემ (1905), ლათინურად — პეეტერსმა (1934).

თხზ.: წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა აბოჲსი..., წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: კეკელიძე კ., ადრინდელი შუადროინდელი ქართული ლიტერატურა, ტ. 1, 1935; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977. *შ. ონიანი.*

ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲓᲠᲐᲡᲮᲐᲜᲐᲙᲔᲠᲢᲪᲘ, ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲠᲐᲡᲮᲐᲜᲐᲙᲔᲠᲢᲔᲚᲘ, IX—X სს. სომეხი ისტორიკოსი, 897-იდან სომხ. კათალიკოსი. მისი შრომებიდან ცნობილია „სომეხი შამამთავრების რიგი“ და „სომეხთის ისტორია“, რ-იც მან გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე დაასრულა. ბოლო ნაშრომში აღწერილია სომხ. ისტორია „ქვეყნის დასაბამიდან“ X ს. I მეოთხედამდე. ნაშრომი შეიცავს საინტერესო ცნობებს შუა საუკ. სომხეთში კლასთა ბრძოლის, შინაფეოდალური ომების, პოლიტ. წყობილების, საერთაშ. ურთიერთობების, სოც.-ეკონ. მოვლენების, კულტურისა და, აგრეთვე საქართვ. ისტ. შესახებ.

თხზ.: სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, **Абегян М. Х., История древнеармянской литературы**, [пер. с арм.], Ер., 1975. *გ. მაისურაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲕᲔᲥᲔᲠᲘᲛᲘ, პერეთის მეფე დაახლ. 960 — X ს. ბოლოს, *ᲨᲘᲠᲐᲜᲘᲯᲘᲡ* ძე. თავის სამეფოს შეუერთა მარჯვ. ნაპირის ალბანეთის ნაწილი. მოგვეს კალანკატვაცი მას „ალბანეთის სამეფოს აღმდგენლად“ მოიხსენიებს. Ი. Ს-ს კეთილი დამოკიდებულება ჰქონდა აზერბაიჯანის სალარიდთა დინასტიის წარმომადგენლებთან (დეილემის მთავართა საგვარეულო) და ტაოს მეფე დავით III დიდ კუროპალატთან.

წყარო: **История агван Моисея Каганкатваци**, пер. с арм., СПб., 1861, кн. 3, гл. 22.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., პერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
თ. პაპუაშვილი.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲙᲝᲢᲣᲡ ᲔᲠᲘᲣᲒᲔᲜᲐ (Johannes Scotus Eriugena), ᲔᲠᲘᲒᲔᲜᲐ (Erigena) (დაახლ. 810 — დაახლ. 877), შუა საუკუნეების ფილოსოფოსი, პანთეისტური ხასიათის ობიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიური სისტემის შემქმნელი. *ნეოპლატონიზმი* გაიაზრა *რაციონალიზმის* ნიადაგზე. ძირითადი ნაშრომი, „ბუნების დაყოფის შესახებ“ (867). მისი აზრით, ყოფიერება მოიცავს ოთხგვარ ბუნებას: 1. შემქმნელი, მაგრამ შეუქმნელი, ბუნება — ღმერთი, როგორც ყოველივე არსებულის ერთადერთი წყარო. იგივე ქრისტიანული მოძღვრების „მამაღმერთი“; 2. შექმნილი და ამასთანავე შემქმნელი ბუნება — ღვთაებრივი იდეები, ლოგოსი. იგივე ქრისტიანული მოძღვრების „ძე ღმერთი“; 3. შექმნილი და არა შემქმნელი ბუნება — ერთიულ საგანთა, გრძნობად-აღქმადი ქვეყანა, საგანთა მრავალსახეობა, რ-იც ავლენს ერთიან იდეალურ სამყაროს. 4. შეუქმნელი და არა შემქმნელი ბუნება-ღმერთი, როგორც ყოველივე არსებულის საბოლოო მიზანი. Ი. Ს. Ე-ს ფილოსოფია უკიდურესი რეალიზმია. *პანთეიზმის* გამი Ი. Ს. Ე-ს ებრძოდა კათოლ. ეკლესია.

თხზ.: Opera quae supersunt omnia, P., 1865 (Patrologiae cursus completus, ser. latina, accur. J.-P. Migne, t. 122).

ლიტ.: გოგიბერიძე ს., რჩ. ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1972; **История философии**, т. 1, [М.], 1940; **Татарский И., Сущность и происхождение философии Иоанна Скота Эригены**. Хар., 1885; **Samstag K., Die Dialektik des Johannes Skottus Eriugena**, Wertheim am Main, [1930].

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲢᲐᲠᲘᲭᲘᲡᲫᲔ, XI—XII სს. ქართველი მთარგმნელი. ანტონ I-ის „წყობილსიტყვაობაში“ (XVIII ს.) მას ეძღვნება ორსტროფიანი იამბიკო, რ-ზეც ნათქვამია: Ი. Ტ-მ „გუთარგმნნა წიგნნი, შეგუმკოეკლესია“, საქართველოში „სწავლა განაფინა“. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის გვიანდელი მინაწერია მიხედვით, რ-იც ს.-ს. ორბელიანს ეკუთვნის, Ი. Ტ. საზღვარგარეთ მოღვაწეობდა და დაახლ. 1114 დაბრუნდა საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენ იყალთოელთან ერთად. კ. კეკელიძე Ი. Ტ-ს ნეოპლატონიკოსად სახავს და მას მიაწერს ამონიოს ერმისის 2 თხზულების თარგმანს, რ-ებსაც სხვა მკვლევრები (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი) იოანე პეტრიწს მიაკუთვნებენ; გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღორძინების ხანის მწერლებს შეიძლება ერეოდეთ Ი. Ტ. იოანე პეტრიწში.

ლიტ.: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1968; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.
ი. ლოლაშვილი.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲣᲛᲘᲬᲐᲤᲧᲚᲝ, იხ. *ᲯᲝᲜ ᲣᲛᲘᲬᲐᲤᲧᲚᲝ.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲥᲝᲜᲥᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი. მის შესახებ ბიოგრ. ცნობები არ მოგვეპოვება. ავტორია მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978—988) მოთავსებული ვრცელი იამბიკური საგალობლისა „გალობანი ქრისტეას ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელყოფილისა ქართველისანი“. მას ტაო-კლარჯეთის ლიტ. სკოლის წარმომადგენლად მიიჩნევენ.

ბიბლ. იხ. სტ-თან ᲘᲝᲐᲜᲔᲛᲘᲜᲩᲮᲘ.
ლ. ჯლამაია.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲚᲐᲖᲔᲚᲘ, VI ს. I ნახ. ბიზანტიელი მწერალი. ჩვენამდე მოღწეულია მისი პოემა „ღამის აბანოს ხოტბა“, რ-საც ლიტ.-ისტ. თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს; საინტერესოა აგრეთვე როგორც ხეოლოგიების ისტ. წყარო. პოემა შეიცავს 703 ჰეგზამეტრულ ტაეპს და იყოფა ორ წიგნად. თითოეულ ნაწილს წამძღვარებული აქვს იამბური ტრიმეტრით გამართული შესავალი.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲨᲐᲕᲗᲔᲚᲘ, XII—XIII სს. ქართველი პოეტი, სასულიერო მოღვაწე, როგორც ზედწოდებიდან ჩანს, წარმოშობით სოფ. შავთიდან ყოფილა. მას მიეწერება ძვ. ქართ. ლიტ-რის კლასიკური ეპოქის





5 6

სტ. *ინდონეზია.* (I). **1.** ქ. ბოგორის მიდამოები. უკანა პლანზე—სოლაკის მთები (კ. იავა). **2.** ბანგის ყურე ქ. პადანგის მახლობლად (ცენტრ. სუმატრა). **3.** ქ. მედანი. ერთ-ერთი უბანი (კ. სუმატრა). **4.** ქ. ჯაკარტა. გენერალ სუდერმანის ქუჩა (კ. იავა). **5.** პუნტადევას ჩანდი. დიენგის პლატო. VII—VIII სს. **6.** კ. ბალი. ბასაკიხის პურა (ტაძარი)· I—XIV სს.

სტ. ინდონეზია (II). **1.** ბუდას ქანდაკება. ბოროობუდურის სამლოცველო. ქვა. დაახლ. 800. **2.** თავი ბჰიმის ჩანდის ნიშიდან (პლატო დიენგი). ქვა. VII-VIII სს. ინდონეზიის კულტურის ინსტიტუტთან არსებული მუზეუმი. ჯაკარტა. **3.** თავი სევუს ჩანდიდან (ან პლაოსანის ჩანდიდან). ქვა. IX ს. ჯაკარტის მუზეუმი. **4.** სცენა ვაიანგ—ტოპენგის წარმოდგენიდან. **5.** ლოკეშვარის სტატუა. შენდუტის ჩანდი (ბოროობუდურის მახლობლად). ქვა. დაახლ. 800. ფრაგმენტი. **6.** კადრი ფილმიდან „გასროლა კალიმანტანზე". რეჟისორი ვ. სისი. 1962. **7.** სცენა ვაიანგ-ორანგის წარმოდგენიდან „რამაიანას" ეპოსის მიხედვით. ქ. სურაკარტის დასი. **8.** ხალხური საკრავების ორკესტრი — გამელანი. კუნძული იავა. 1921.





ინტერიერი. **1.** მართლმადიდებელთა ბაპტისტერიუმი. რავენა. V ს. **2.** სა-
პერკულანუმში. ძვ. წ. I ს. დასასრული — ახ. წ. I ს. დასაწყისი. ატრიუმი.
აცხოვრებელი სახლი პენშურსტ-პლეისზე. კენტი. დაახლ. 1941. ჰოლი. **4.**
ოსი. მიხეილის სასახლე (ახლანდ. რუს. მუზეუმი). ლენინგრადი. 1819-25.
ი დარბაზი. **5.** ვ. რასტრელი. დიდი (ეკატერინესეული) სასახლე
ინში. 1752-57. ანფილადა. **6.** კ. ტანგე. არქიტექტორის საკუთარი სახ-
ტოკიო. 1957. **7.** ი. პოკროვსკი და სხვ. პიონერთა და მოსწავლეთა
ლე ლენინის გორაკებზე. მოსკოვი. 1959-62. ზამთრის ბაღი. **8.** ა. პოლი-
კი, დ. ვიტუხინი, ინჟ. ი. რაცკევიჩი და სხვ. პ. ტოლიატის
პიონერთა ბანაკ „მორსკოის" სასტუმრო კორპუსი. არტეკი. 1960-61. საცხ-
ოვრებელი ნომერი.









სტ. ირანი (I). **1.** თეირანი. ქალაქის საერთო ხედი. უკანა პლანზე ელბურსის მთები. **2.** ისპაანის ერთ-ერთი საცხოვრებელი კვარტალი. **3.** გორგან—შაჰრუდის გზა ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის მთებში. **4.** თეირანის ერთ-ერთი ქუჩა. **5.** აბადანის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.



სტ. ირანი (II). **1.** ვაქილის მეჩეთი. შირაზი. XVIII ს. **2.** საკრებულო მეჩეთი. გალერეები. ისპაანი. XIV ს. **3.** მავზოლეუმი. გომბადე-ქაბუდის მარალა. 1197. **4.** საკრებულო მეჩეთი. ისპაანი. სამხრეთ-დასავლეთი აივანი. XII ს. პორტალი გადაკეთებულია და შემოსილი 1475. **5.** ხუროთმოძღვარი ალი-შაპი. ოლჯაითუ-ხოდაბანდეს მავზოლეუმი. სოლთანიე. 1305—13. **6.** მინარეთი. ბესთამი. 1120. **7.** მავზოლეუმი გომბადეალი ჟბერყუს მახლობლად. 1056. **8.** ლოთფოლას მეჩეთი. ისპაანი. 1603—18. გუმბათის ყელისა და გუმბათის ფრაგმენტი. **9.** რუსთამ შირაზი. „ქეიფი". XX ს. **10.** კვეთილი სტუკო. პანელი სავედან. XII—XIII სს. ნატიფი ხელოვნების მუზეუმი. ბოსტონი. **11.** აბდალაპ ამერი. „ხადიჯე". 1950-იანი წწ. **12.** მოინ მოსავერი. რეზა აბასის პორტრეტი. 1676. კერძო კუთვნილება. **13.** აღა რეზა. „დამჯდარი კაცი". დაახლ. 1560. კერძო კუთვნილება. **14.** რეზა აბასი. ქალის ფიგურა. 1629. კერძო კუთვნილება.











სტ. იტალია. (I). 1. დოლომიტის ალპები. 2. აბრუცის აპენინები. 3. კურორტი ანაკაპრი კ. კაპრიზე. 4. მონბლანის მასივი. 5. საავტომობილო გზა აპულიაში. 6. ტბა კომო. ლომბარდია. 7. სატაძრო კომპლექსი. პიზა. ტაძარი (1063–1160) და კამპანილე (1174–1372). 8. ჯ. და ბ. ბ ო ნ ე ბ ი. დოჟების სასახლე. ვენეცია. 1424–42



სტ. იტალია (II). **1.** ჯ. პაზარი, ბ. ბუონტალენტი. უფიცის სასახლე. 1560–85. **2.** არნოლფო დი კამბიო. პალაცო დელა სინიორია. დაიწყო 1298. ფლორენცია. **3.** ა. პალადიო. ბაზილიკა. 1549–1614. ვიჩენცა. **4.** სან-მიკელეს ეკლესია. 1117–55. პავია. **5.** ანტელამი. „ბარდამოხსნა". მარმარილო. 1178. პარმის ტაძარი. **6.** „წმ. მარტინი და მათხოვარი". ლუკას ტაძრის ფასადის რელიეფი. ქვა. დაახლ. 1233. **7.** ჯოტო. „იუდას ამბორი". დელ არენის კაპელის ფრესკა. დაახლ. 1305. პადუა. **8.** ჯ. მორანდი. „ნატიურმორტი". თანამედროვე ხელოვნების ეროვნული გალერეა. რომი. **9.** ა. მოდილიანი. „მჯდომარე ქალი". კერძო კუთვნილება. პარიზი. **10.** „მეექვსეს". ტაძრის პორტალის რელიეფი. ქვა. დაახლ. 1200. ფერარა. **11.** კადრი ფილმიდან „ტკბილი ცხოვრება". რეჟ. ფ. ფელლინი. 1950. **12.** სცენა ჯ. პუჩინის ოპერიდან „ბოჰემა", „ლა-სკალას" თეატრში. 1963.



სტ. *ეშხანი*. 1. ტაძარი. VII ს. საერთო ხედი. 2. საკურთხეველის აფსიდი. VII ს.

სტ. *ქაცხი*. 3. ტაძარი, X–XI სს. მიჯნა. გარშემოსავლელი. XI ს. I ნახევარი. საერთო ხედი.



ეგლი „აბდულმესიანი“. „ქართლის ცხორების“ ცნობით, ი. შ. იყო „ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და ოლუაწებათა შინა განთქმული“. იგი ამარ მეფის თანამედროვე და სანდო პირი ოფილა. მემატიანეთა ცნობით, თამარს ნლდა ვარძიასა და ოძრხეში *ბასიანის ძრძოლის* (1203) დროს, აქვე შეუთხზავს ბალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“. მასვე მიეწერება სას. ხასიათის სხვა ხზულებებიც. ი. შ. სას. პირი ჩანს, რაეც მიუთითებს მის თხზულებებში გამოვენილი ლრმა საღვთისმეტყველო განათლება. ზოგ წყაროში მოხსენიებულია „ნეარად“, „წმინდანად“. „აბდულმესიანში“ ჯი თავის თავს „მწირსა“ და „მსხემს“ უწოდებს.

თხზ.: [წიგნში] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946.

ს. ცაიშვილი.

ოანე ცეცე (Iōannēs Tzetzes) (დაახლ. 110 — დაახლ. 1180), ბიზანტიელი პოეტი და ფილოსოფოსი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში. ანტ. ეპოსის მიბაძვით აწერა პოემა „ილიაკა“. უფრო მეტად ნობილია როგორც კომპილატორი და ტ. ეპოქის ძველთა კომენტატორი. მისი ოავარი კომპილაციური თხზ. თხუთმეტრცვლიანი საზომით დაწერილი „წიგნი ტორიათა“ ანუ „ხილიადები“ საისტ. ტიკვარული კრებულია, რ-შიც თავმოილია მითოლ. და ისტ.-ლიტ. ხასიათის ბავალი ცნობა. ი. ც-ს ეკუთვნის აგრეთვე ომეროსის, ჰესიოდეს, არისტოფანეს, ლიოფრონის, ნიკანდრესა და სხვ. ანტ. ავორთა თხზულებების განმარტება-სქოიოები. ლიკოფრონის თხზულების „ალეანდრას“ განმარტებებში ი. ც. გვაწვის ძვ. კოლხეთთან დაკავშირებულ საყურადღებო მითოგრაფიულ, გეოგრ. და ეთოგრ. ცნობებს.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი ბგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ოანე ჭიმჭიმელი, იხ. *იოანე პეტრიწი.*

ოანე ჭყონდიდელი, ჭყონდიდის მთავრეპისკოპოსი დაახლ. 1060 — XII ს. ხიან წლებში. იხსენიება სვინგელოზის ტულით. XI ს. 50-იან წლებში, ჯერ კიდევ ერისკაცობაში, თავის ძმასთან პეტრეკთან ერთად თან ახლდა ბაგრატ IV-ს ა დედოფალ მარიამს კონსტანტინოპოლს, ბიზანტ. იმპ. კონსტანტინე IX მონომახის (1042—54) კარზე. აქ ისინი შეხვენ ათონიდან ჩამოსულ გიორგი მთაწმიდელს და ათონში დიდი შესაწირავი გაანეს, რისთვისაც იოანეს და მის ძმას ათონში ალაპი დაუწესეს. 1059 მან ბაგრატ -ის დავალებით ქ. ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი მთაწმიდელი, რ-ის ინიციატივითაც იოანე ჭყონდიდელად აკურთხეს. ი. ჭ. დაეხმარა გიორგი მთაწმიდელს საქართველოში დარეული საეკლ. საქმეების გამართვა-მოსრიგებაში; 1065 და 1066—67 ბაგრატ -ის ელჩი იყო ბიზანტ. იმპერატორის რზე. ამ ელჩობის დროს ი. ჭ-ს გიორგი ცესმონაზონისთვის უთხოვია დაეწერა ორგი მთაწმიდელის ცხოვრება.

წყარო: გიორგი მცირე, ცხორება გიორგი მთაწმიდელისაჲ, წგნ.: ძველი ართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., სავარო ფეოდალურ საქართველოში, მის წგნ.: ქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 3, ., 1966.

ბ. ლომინაძე.

ანიკე (გვარად რუდნევი), საართველოს ეგზარქოსი 1877—82. მისი ოსნობით 1879 თბილისში გაიხსნა ქალ- საეპარქიო სასწავლებელი, რ-იც მანამ- მცხეთაში, სამთავროს მონასტერთან ი (დაარსდა 1866); დააწესა საკვირაო ბრები სარწმუნოებისა და მორალის თეზე; წირვის გარეშე კითხვის საღამოები რწმუნეთათვის. ი-ს ინიციატივით 1880 ილ. სემინარიასთან დაარსდა ანდრია ველწოდებულის სახელობის რელიგ. ბმობა; საქართვ. კოლონიზაციის მიზნით შეაკეთებინა ბიჭვინთის (1872), ახალი ათონის (1875), დრანდის (1882) მონასტრები, რ-თა გარშემოც შეიქმნა რუს კოლონისტთა დასახლებები. 1882 კიევის მიტროპოლიტად გადაიყვანეს.

მ. ხუციშვილი.

ოანიტები, ჰოსპიტალიერები, XII ს. დასაწყისში პალესტინაში ჯვაროსნების მიერ დაარსებული სასულიერო-რაინდული ორდენის წევრები. სახელი ეწოდათ წმ. იოანე იერუსალიმელის ჰოსპიტლის (სახლი მლოცველთათვის, ლათ. hospitalis — დავრდომილთა თავშესაფარი) მიხედვით, რ-შიც I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ იყო ორდენის დამაარსებელი რაინდების რეზიდენცია. 1113 პაპმა დაამტკიცა ი-ის ორდენის წესდება. ი. ჯვაროსნებისა და მლოცველთა მომსახურების გარდა მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში. XII—XIII სს-ში ორდენმა დიდ ძლიერებას მიაღწია, მას თავისი ქვეგანყოფები ჰქონდა დას. ევროპის მრავალ ქვეყანაში, ხოლო მიწის სამფლობელოები — ახლო აღმოსავლეთსა და დას. ევროპაში. აღმ-იდან ჯვაროსნების განდევნის შემდეგ ი. 1291 დასახლდნენ კ. კვიპროსზე, XIV ს. დასაწყისში — კ. როდოსზე (ე. წ. როდოსის რაინდები), 1530 — კ. მალტაზე (მალტის ორდენი). 1798 ი-მა დაკარგეს კ. მალტა, შემდეგ კი სხვა სამფლობელოებიც. 1834 ი-მა რეზიდენცია რომში გადაიტანეს. XX ს. 70-იან წლებში ი-ს ორგანიზაციები ჰქონდათ გფრ-ში, ინგლისში, შვეიცარიასა და სხვ. ქვეყნებში. ეს ორგანიზაციები აერთიანებენ დაახლ. 6 ათ. კაცს, უმეტესად არისტოკრ. წრეებიდან. 1961-იდან (ახ. წესდებით) ორდენის წევრი შეიძლება გახდეს სხვა წრის წარმომადგენელიც. ორდენი ფორმალურად მიზნად ისახავს რელიგ. ქველმოქმედებას, ნამდვილად კი მის მოღვაწეობას რეაქციული პოლიტ. ხასიათი აქვს.

იოახიმი (Joachim) იოჟეფ (იოზეფ) (28. VI. 1831, კიტზეე, პრესბურგის მახლობლად, — 15. VIII. 1907, ბერლინი), უნგრელი მეკიოლინე, კომპოზიტორი და პედაგოგი. 1849—53 ვაიმარის სამეფო კარის ორკესტრის კონცერტმაისტერი. 1853—66 კონცერტმაისტერი (1859-იდან კონცერტდირექტორი) ქ. ჰანოვერში. 1868-იდან ბერლინის უმაღლესი სამუსიკო სკოლის დირექტორი და პროფესორი. 1869 დაარსა სიმებიანი კვარტეტი. ი-ის საშემსრულებლო მოღვაწეობამ ეპოქა შექმნა სავიოლინო ხელოვნებაში. ავტორია სავიოლინო თხზულებებისა, მ. შ. 3 კონცერტის, საფორტეპიანო პიესების, კადენციებისა და სხვ., აგრეთვე მეთოდური ხასიათის ნაშრომისა „სავიოლინო სკოლა“ (ა. მოზერთან ერთად 1905).

იოახიმ ფლორელი (კალაბრიელი), ჯოაკინო და ფიორე (Joachimus Florensis, Gioacchino da Fiore) (დაახლ. 1132, ჩელიკო, კალაბრია,— 20. III. 1202, ფიორე, კალაბრია), იტალიელი მოაზროვნე, განდეგილი, ცისტერციანული ორდენის მონაზონი. დაახლ. 1177-იდან — აბატი. 1191 გამოვიდა ორდენიდან და დააარსა მონასტერი სან-ჯოვანი ინ ფიორე (ახალი ფლორის ორდენის ცენტრი — აქედან მისი ზედწოდება), რ-ის წესდება თვით შეადგინა. ი. შ-მა შექმნა მწვალებლური მოძღვრება „იოახიმიზმი“, რ-საც აშკარად ანტიეკლესიური და ანტიფეოდ. ხასიათი ჰქონდა. ი. შ-ის მისტიკურ-ღვთისმეტყველურ თხზულებებში („ახალი და ძველი აღთქმის შეთანხმებანი“, 1519; „სახელმძღვანელო აპოკალიფსისათვის“, 1527) ქრისტ. *სამების* სამ პირს შეესაბამება კაცობრიობის ისტორიის სამი მსოფლიო ერა, რ-იც მონობიდან თავისუფლებისაკენ ვითარდება. ამ ერებიდან მესამე არის „სული წმინდის“ ერა, რ-იც დაახლ. 1200-იდან დაიწყო. ი. შ-ის მოძღვრებით, ამ ერაში „დამყარდებოდა მუდმივი სამართლიანობა“, განხორციელდებოდა სრული თავისუფლება, „დედამიწაზე მშვიდობისა და სამართლიანობის მეუფება“ დამყარდებოდა. ი. შ-ის მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა XIII—XIV სს. სახალხო-ერეტიკულ მოძრაობებზე.

იობი, ბიბლიური პერსონაჟი. ეშმაკის შთაგონებით ღმერთმა ღვთისმოსავ ი-ს გამოსაცდელად მრავალი სატანჯველი მიუვლინა, საბოლოოდ კი მოთმინებისათვის უხვად დაუჯილდოვა. ი-ის სახელით ცნობილი ბიბლ. წიგნის ავტორის ვინაობა გაურკვეველია. ჟანრობრივად ეს წიგნი განეკუთვნება ძვ. აღმოსავლეთში გავრცელებულ „სიბრძნის ლიტერატურას“. შედგენილია დაახლ. ძვ. წ. V ს-ში. თხრობითი ნაწილი დაწერილია პროზით, დიალოგი ი-სა და მის მეგობრებს შორის პოეტური ფორმისაა. უძველესი ქართ. თარგმანი შემონახულია ოშკის ბიბლიაში (978).

ლიტ.: Bentzen A., Introduction to the Old Testament, Cph., 1962.

მ. შანიძე.

იოგა (სანსკრ., სიტყვასიტყვით — კავშირი, ერთობა, გონების კონცენტრირება, ძალა; ეს ტერმინი გვხვდება ზეპირსიტყვიერების იმ ტექსტებში, რ-ებიც ძვ. წ. IX—VIII სს. ტრადიციებს უკავშირდება), 1. ფართო მნიშვნელობით — მოძღვრება და მეთოდი ადამიანის ფსიქიკის და ფსიქოფიზიოლოგიის მართვისა და უმაღლესი ფსიქ. მდგომარეობის მისაღწევად. ამ მნიშვნელობით ი. ინდ. რელიგ. და ფილოს. აუცილებელ ნაწილს შეადგენს და განიხილება როგორც ეთიკური და რელიგ. იდეალების (რ-ის უმაღლესი გამოვლინებაა ადამიანის სრული ხსნა მატერ. არსებობის ბორკილებისაგან) რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება.

2. ინდ. იდეალისტური ფილოს. ერთ-ერთი (ექვსიდან) ორთოდოქსალური სისტემა. მისი ფუძემდებელია ბრძენი პატანჯალი (ძვ. წ. II ს. — ახ. წ. II ს.?), ამიტომაც ამ სისტემას პატანჯალის სისტემასაც უწოდებენ. ი-ის სისტემის მიხედვით, ფილოს. და რელიგ. ჭეშმარიტებების შეცნობისა და პრაქტ. გამოყენებისათვის აუცილებელია სულიერი განწმენდა და ნათელი გონება, ამის მიღწევის საუკეთესო საშუალება კი ი. არის. ინდ. ფილოს. ყველა სისტემა მოითხოვს ი-ის, როგორც ცხოვრების ფილოს. აუცილებელი პრაქტ. მხარის, გამოყენებას. ი-ის პრაქტ. გამოყენების შესაძლებლობებზე ვედებიც მიუთითებს. მათში ის აზრია გატარებული, რომ ი. ჩაწვდომის მნიშვნელოვანი მეთოდია და ინდ. ფილოს. სპირიტუალური ჭეშმარიტების რეალიზაციას წარმოადგენს. ი-ის სისტემა 4 ნაწილად იყოფა: 1 — სამადჰიპატა ი-ის ბუნებას, მიზანს და ფორმას ეძღვნება. ამ ნაწილში ი-ის მიღწევის სხვადასხვა მეთოდები განიხილება; 2 — სადჰანაპატა, ქმედების ი., როგორც რაიმეზე გონების კონცენტრირების მიღწევის საშუალება; 3 — ვიბჰუტიპადა აღწერს ი-ის შინაგან ასპექტებს, იმ ბუნებრივ ძალას, რ-ის შეძენაც შეიძლება ი-ის პრაქტიკაში გამოყენებით; 4 — კაივალიაპადა იძლევა საბოლოო ხსნის (განთავისუფლების) ბუნების და ფორმის აღწერას. აქ განიხილება „მე-ს“ ტრანსცენდენტულობის და სხვა სამყაროს რეალობა. ი-ის სისტემაში ინდივიდ. „მე“ (ჯივა) თავისუფალი სულია, გაერთიანებულია ფიზ. სხეულთან და უფრო მჭიდრო კავშირშია სათუთ სხეულთან, რ-იც გონებისაგან, გრძნობებისაგან და ინტელექტისაგან შედგება. „მე“ თავისი ბუნებით წმინდა ცნობიერებაა, იგი თავის თავს განიხილავს როგორც სუბიექტი (პურუშა), რ-იც იბადება და იზრდება, დროთა განმავლობაში ბერდება და კვდება; ნამდვილად კი „მე“ ყველა მოვლენაზე მაღლა დგას. ი-ის მიზანია შეაფერხოს და შეწყვიტოს გონების მოდიფიკაციები. ხსნა შესაძლებელია მხოლოდ სულიერი ჩაწვ-

ბ. იოგანსონი.

ბ. იოგანსონი. სსრკ სახალხო არტისტის ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს პორტრეტი. 1948. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მუზეუმი.



იოანე მელი. წმინდანთა ცხოვრების კრებული. ფრაგმენტი. XI ს საქ სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი.

დომის მეორეებით, ამის მიღწევა კი შეიძლება განწმენდილი, მშვიდი და ნათელი გონების დროს. O-ს თვითგანწმენდის რვა საშუალება აქვს: 1. იამა — თავის შეკავება, დათმენა (აკრძალულია ზიანის მიყენება სიცოცხლის ნებისმიერი გამოვლინებისათვის, სიცრუე, ქურდობა, სექსუალური იმპულსების თავაშვებულობა, სიძუნწე); 2. ნიამა — კულტურა (O-ის მიმდევარმა მაქსიმალურად უნდა განივითაროს დადებითი ჩვევები: სხეულის მოვლა-განბანვით და სუფთა საჭმლის მიღებით, აგრეთვე გონების განწმენდა დადებითი ემოციების და გრძნობების აღზრდით; ცხოვრებაში უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რაც თვითონ ძალდაუტანებლად მოდის, გაიკაჟოს, დაიმორჩილოს ხორცი სიცივის, სიცხის და სხვ. ასატანად); 3. ასანა — მდგომარეობა სხეულისა (სხეულის გამაჯანსაღებელი დისციპლინა, რ-იც განსაკუთრებით ამაგრებს ნერვულ სისტემას); 4. პრანაიამა — სუნთქვის ვარჯიში, გაკონტროლება; 5. პრატიაჰარა — გრძნობებისაგან განთავისუფლება; 6. დჰარანა — ყურადღება; 7. დჰიანა — ჭვრეტა; 8. სამდჰი — გონების კონცენტრირება რაიმეზე (ყურადღების დაძაბვა). ამტკიცებენ, რომ O-ის პრაქტ. გამოყენებისას ადამიანები განსაკუთრებულ ძალას იძენენ: მათ შეუძლიათ ცხოველების და მწეცების მოშინაურება; ნებისმიერი ნივთის მიღება მხოლოდ და მხოლოდ სურვილით; წარსული, აწმყოსა და მომავლის ამოცნობა. ზებუნებრივი ხილვების, ხმების, სუნის გამოწვევა; ისინი გადიან ქვის კედლებში, ხედავენ დაკეტილ კარებს იქით, ხდებიან უჩინარნი, ერთდროულად სხვადასხვა ადგილას ჩანან და სხვ. ამავე დროს O-ის სისტემა მოუწოდებს ყველას არ გამოიყენონ O. მხოლოდ ამ მიზნებისათვის. O-ის მიზანია მხოლოდ ხსნა ადამიანისა. ფსიქ. გამოკვლევებმა და ფსიქოანალიზის სკოლამ დიდი წვლილი შეიტანა ფსიქ. ცხოვრების ბნელი მხარეების შესწავლაში. ამ მხრივ O. იძლევა ადამიანის ჭეშმარიტი „მე-ს" შეცნობის, თვითკონტროლისა და განწმენდის ზოგიერთ პრაქტ. მეთოდს. ბოლო ხანს O-ის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ ვივეკანანდა (XIX ს. მიწურული) და იოგანანდა (XX ს. 40—50-იანი წლები). თანამედროვე კლინ. მედიცინა და ექსპერ. ფსიქოფიზიოლოგია შეისწავლის O-ის ფსიქოფიზიოლ. პრაქტიკის გამოცდილებას.

ლიტ.: Чаттерджи С., Датта Д., Введение в индийскую философию, [пер. с англ.], М., 1955.

ᲘᲝᲒᲐᲜᲡᲝᲜᲘ ბორის ვლადიმერის ძე [13 (25). VII. 1893, მოსკოვი, — 25. II. 1973, იქვე], რუსი საბჭ. ფერმწერი, სსრკ სახ. მხატვარი (1943), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1947), სოციალ. შრომის გმირი (1968). სკკპ წევრი 1943-იდან. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1912—18). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1953—58 სსრკ სამხატვრო აკად. ვიცე-პრეზიდენტი, 1958—62 პრეზიდენტი, სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი (1965 — 68). მუშაობდა ისტ.-რევ. ჟანრში [„კომუნისტების დაკითხვა", 1933; „ურალის ძველ ქარხანაში" („დემიდოვის ურალი"), 1937, სსრკ სახელმწ. პრემია, 1941, — ორიე ტრეტიაკოვის გალერეა]. 1950 თანაავტორებთან ერთად შექმნა სურათი „ვ. ი. ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე" (სსრკ სახელმწ. პრემია, 1951, ტრეტიაკოვის გალერეა). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

ᲘᲝᲒᲔᲒᲘ ანატომიაში, ძვლების დამაკავშირებელი სხვადასხვა ფორმისა და ზომის შემაერთებელქსოვილოვანი ზონრები ან ფიფრფიტები. O. ჩართულია სასახსრე ჩანთაში ან მის მახლობლადაა, ზოგჯერ კი გაჭიმულია ერთი და იმავე ძვლის ორ ნაწილზე (ე. წ. ცრუ O.) და წარმოქმნის დასაყრდენს, აპკს, რ-იც სხვადასხვა ხვრელს ხურავს (მაგ., მენჯის დახურული აპკი). ძვლებთან და სახსრებთან ერთად O. შეადგენს სამობრაო აპარატის პასიურ ნაწილს. O. შედგება მკვრივი კოლაგენური და ელასტ. ბოჭკოებისაგან, რაც განსაზღვრავს მათ მექან. თვისებებს: სიმკვრივეს, სიმაგრეს, წელვადობასა და ელასტიკურობას (მაგ., მენჯ-ბარძაყის ო	ი 350 *კგ* დატვირთვას უძლებს). გულმკერდის ღრუში *პლევრა*, ხოლო შუცლის ღრუში *პერიტონეუმი* წარმოქმნის შინაგანი ორგანოების დამაფიქსირებელ სეროზულ O-ს. *ვ. აბაშიძე.*

ᲘᲝᲓᲘ (ლათ. Iodum), I, ელემენტთა პერიოდული სისტემის VII ჯგ. ქიმ. ელემენტი, მიეკუთვნება *ჰალოგენებს*. ატ. ნომერი 53, ატ. მასა 126,9045, $t_{\text{დნ}}$ 113,5°C, $t_{\text{დუღ}}$ 184,35°C, სიმკვრივე 4940 *კგ/მ*^{3}; მომავო-მორუხო ფერის ლითონური ბზინვარების კრისტალები. ბუნებრივი O. შედგება ერთი სტაბილური ^{127}I იზოტოპისაგან. O. აღმოაჩინა ფრანგმა ქიმიკოსმა ბ. კურტუამ 1811.

დედამიწის ქერქში O-ის საშ. შემცველობაა მასის მიხედვით $4 \cdot 10^{-5}$ %. ცნობილია ბიოსფეროში წარმოქმნილი O-ის 8 ჰიპერგენული მინერალი. ბიოსფეროსათვის O-ის ძირითად რეზერვუარს მსოფლიო. ოკეანე წარმოადგენს (1 *ლ* საშუალოდ $5 \cdot 10^{-5}$ *გ* O-ს შეიცავს). თხევადი და აირადი O-ის მოლეკულები ორატომიანია (I_2), 700°C-ის ზევით გახურებისას და სინათლის სხივების ზემოქმედებით დისოციირდება. ჩვეულებრივ ტემპ-რაზე O. ორთქლდება, წარმოქმნის მკვეთრ სუნიან იისფერ ორთქლს (აქედან წარმოდგება მისი სახელწოდება— ბერძნ. iōdes ioeides — იისფერი). სუსტად გაცხელებისას O. ქროლდება და ბზინვარე თხელ ფირფიტებს წარმოქმნის. O. ცუდად იხსნება წყალში, კარგად — გოგირდნახშირბადში, ორგ. გამხსნელებში და იოდიდების წყალხსნარებში.

ნაერთებში O. ამჟღავნებს ცვალებად ვალენტობას (—1, +1, +3, +5, +7). ქიმიურად აქტიურია, მაგრამ ქლორსა და ბრომთან შედარებით ნაკლებ რეაქციისუნარიანია. სუსტად გაცხელებისას ენერგიულად ურთიერთქმედებს ლითონებთან და *იოდიდებს* წარმოქმნის. წყალბადთან ურთიერთქმედებს მხოლოდ გაცხელების დროს და წარმოქმნის *იოდწყალბადს*. წყალში გახსნისას O. ნაწილობრივ ურთიერთქმედებს წყალთან ($I_2+H_2O \rightleftarrows HI+HIO$), სახამებელს მუქ ლურჯად ღებავს; ამ თვისებას იყენებენ ანალიზურ ქიმიაში O-ის აღმოსაჩენად.

სსრკ-ში O-ის მიღების სამრეწვ. ნედლეულს ნავთობის ჭაბურღილების წყლები წარმოადგენს; O-სა და მის ნაერთებს უმთავრესად იყენებენ მედიცინაში, ანალიზურ ქიმიაში, ორგ. სინთეზსა და ფოტოგრაფიაში, აგრეთვე მრეწველობაში (მაღალხარისხოვანი ლითონების მისაღებად).

ლიტ.: Ксензенко В. И., Стасиневич Д. С., Технология брома и иода, М., 1960.

იოდი მედიცინაში. O-ის პრეპარატებს ახასიათებს ანტიბაქტერიული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება. გაუსნებოვნებისათვის O-ით ამუშავებენ საოპერაციო არეს. ორგანიზმში მოხვედრილი O-ის პრეპარატები მოქმედებენ ნივთიერებათა ცვლაზე, აძლიერებენ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას, მცირე დოზა (მიკროიოდი) კი პირიქით აკნინებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციას. O. ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას სისხლში, ამიტომ მას იყენებენ ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. O-ის ხანგრძლივი მიღებისას ვითარდება იოდიზმის მოვლენები: სურდო, ჭინჭრის ცება, ნერწყვცისა და ცრემლის გაძლიერებული დენა, გამონაყარი კანზე და სხვ. არ შეიძლება O-ის პრეპარატების მიღება ფილტვის ტუბერკულოზის, ორსულობის, თირკმლების ქრონ. დაავადების, ჰემორაგიული დიათეზის დროს. რადიოაქტ. O-ს ფართოდ იყენებენ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის დასადგენად და ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ. განსაკუთრებით საშიშია რადიოაქტ. O. ბავშვებისათვის, ვინაიდან მათი ფარისებრი ჯირკვალი 10-ჯერ უფრო პატარაა, ვიდრე მოზრდილებისა, ამასთან, განსაკუთრებით რადიომგრძნობიარეა.

ᲘᲝᲓᲘᲓᲔᲑᲘ, იოდის ქიმ. ნაერთები სხვ. ელემენტებთან. ლითონთა O-ის უმრავლესობა იოდწყალბადმჟავას მარილებია. ელემენტთა პერიოდული სისტემის I და II ჯგ. ლითონების O. ტიპური მარილებია. მათი უმრავლესობა კარგად იხსნება წყალში, სპირტსა და სხვ. პოლარულ გამხსნელებში. III, IV, V, VI ჯგ. ლითონთა აგრეთვე არალითონთა (B, Si, P, AS, Sb) O. ადვილდნობადნი არიან, იხსნებიან არაპოლარულ გამხსნელებშიც. გახურებისას ადვილად დისოციირდებიან ელემენტად და იოდად, ამ პროცესს იყენებენ განსაკუთრებით სუფთა ნივთიერებების (ტიტანი, ცირკონიუმი და მრ. სხვ.) მისაღებად. O-ს ღებულობენ ელემენტების უშუალო ურთიერთქმედებით, ჟანგეულების ან კარბონატების მოქმედებით იოდწყალბადმჟავასთან და სხვ. ხერხებით.

ᲘᲝᲓᲚᲘ (Jodl) ალფრედ (10. V. 1890, ვიურცბურგი, — 16. X. 1946, ნიურნბერგი), გერმანიის ფაშისტური არმიის გენერალ-პოლკოვნიკი (1944). I მსოფლიო ომის (1914—18) მონაწილე. შემდეგ რაიხსვერში მსახურობდა საშტაბი თანამდებობებზე. 1939 აგვ. — 1945 მაისში იყო ფაშისტური გერმანიის შეიარაღებული ძალების ოპერატ. ხელმძღვანელობის შტაბის უფროსი, ჰიტლერის მთავარი მრჩეველი ოპერატიულ-სტრატეგიულ საკითხებში. ომის დასასრულს დასავლეთის ფრონტზე იყო. 1945 წ. 7 მაისს ადმ. კ. დენიცის დავალებით რეიმსში ხელი მოაწერა გერმ. შეიარაღებული ძალების საერთო კაპიტულაციას დას. მოკავშირეებთან. 1946 წ. ნიურნბერგში ნურიბუნალმა ნიურნბერგში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა როგორც სამზ. დამნაშავეს და ჩამოახრჩვეს.

ᲘᲝᲓᲐᲜᲔᲗᲘ, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე II ს-ში, მეფე ქსეფარნუგის ეზოსმოძღვარი. მოხსენიებულია *არმაზის ბილინგვაში*.

ᲘᲝᲓᲛᲟᲐᲕᲐ, HIO_4, არაორგანული მჟავა. წყალთან წარმოქმნის რამდენიმე ნაერთს, რ-ის ზოგადი ფორმულაა $(HIO_4)_n \cdot (H_2O)_m$. ასეთ ნაერთებს განიხილავენ როგორც რთულ მრავალფუძიან მჟავებს (H_3IO_5, $H_4I_2O_9$, H_5IO_6). O-ის მარილები — პერიოდატები მეგრადი, ძლიერი მჟანგავი ნაერთებია; იშლებიან მხოლოდ 250—300°C-ზე, ღებულობენ იოდატების ქლორით დაჟანგვისას ტუტე არეში. იყენებენ ქიმ. რეაქტივებად.

ᲘᲝᲓᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ (*იოდი* და ბერძნ. metreo-ვზომავ), *ტიტრომეტრიული ანალიზის* მეთოდი, რ-იც ემყარება ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის $I_2+2e \rightleftarrows 2I^-$ გამოყენებას. O-ის მეთოდით საზღვრავენ აღმდგენებს (გოგირდწყალბადს, 2-ვალენტოვან კალის მარილებს და სხვ), რ-ებიც აღადგენენ ელემენტურ იოდს I^- იონამდე, და მჟანგავებს (ქრომ- და მანგანუმმჟავას და სხვ.), რ-ებიც ჟანგავენ I^- იონს ელემენტურ იოდამდე. ტიტრირისას სამუშაო ხსნარად იყენებენ იოდისა და ნატრიუმის იოისულფატის ხსნარებს, ინდიკატორად კი — სახამებელს.

ᲘᲝᲓᲬᲧᲐᲚᲑᲐᲦᲘ, HI, იოდის წყალბადიანი ნაერთი; მკვეთრი სუნის უფერული აირი, ნესტიან ჰაერზე ძლიერ ბოლავს, ამ დროს წარმოიქმნება იოდწყალბადმჟავას უფერული წვეთები; $t_{\text{დნ}}$ 50,9°C, $t_{\text{დუღ}}$ 35,9°C. O. არამედეგი ნაერთია, ტემპ-რის მომატებისას დისოციირებს ($2HI \rightleftarrows H_2+I_2$), კარგად იხსნება წყალში. მიიღება იოდის ორთქლისა და წყალბადის ურთიერთქმედებით კატალიზატორის თანაობისას (500°C)

ᲘᲝᲓᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲛᲟᲐᲕᲐ, HI, *იოდწყალბადის* წყალსხსნარი, ძლიერი მჟავა, უფერული, მკვეთრი სუნის სითხე, სინათლეზე ყვითლდება. გასაყიდი მჟავა დაახლ. 45% HI შეიცავს, მისი სიმკვრივეა 1500 *კგ/მ*³. Ი-ს იყენებენ იოდიდების მისაღებად.

ᲘᲝᲔᲜᲡᲣᲣ (Joensuu), ქალაქი აღმ. ფინეთში, პიუჰიასელკიის ტბის (საიმის ტბების სისტემა) ნაპირზე. პოჰიოის-კარიალის ლიანის ადმ. ცენტრი. 43 ათ. მცხ. (1977). სავაჭრო-სატრანსპ. ცენტრი. ხეტყის დასაცურებელი ნავსადგური. დახერხილი ხე-ტყისა და ფანერის წარმოება.

ᲘᲝᲐᲙᲘᲛᲘ, დას. საქართველოს („აფხაზეთის") კათალიკოსი დაახლ. XV ს. 70-იან წლებში, ცაიშელ-ბედიელი (ცაიშისა და ბედიის მთავარეპისკოპოსი). დას. საქართველო. მაშინდელი პოლიტ. მმართველების — *ბაგრატ VI-ის,* დადიანისა და გურიელის სურვილით კათალიკოსად აკურთხა არა სრულიად საქართვ. კათალიკოს-პატრიარქმა, არამედ დას. საქართველოში შემოხვევით ჩამოსულმა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა მიქაელმა (1470/74—84). ამ აქტით მათ ხელი შეუწყვეს საქართველოში პოლიტ. განკერძოებულობის გაღრმავებას. Ი-ს კათალიკოსად დადგენასთან დაკავშირებით პატრიარქ მიქაელის სახელით შედგა კანონიკური ბეგული „მცნება სასჯულო", რ-იც განსაზღვრავდა და აწესრიგებდა სრულიად აფხაზეთის კათალიკოსის იურისდიქციას, მოქმედ საეკლ. დისციპლინურ და რელიგ.-სარწმუნოებრივ ნორმებს, სასჯელს და სხვ. წყაროებში Ი. დახასიათებულია როგორც საეკლ. საქმეების ენერგიული გამგებელი, რ-იც განსაკუთრებით ზრუნავდა საკუთრივ აფხაზეთში ქრისტიანული რელიგ. დანერგვა-განმტკიცებისათვის. Ი-ს ამაგი დაუდგია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრისათვის, ამის გამო იქ საუკუნო ალაპი დაუწესებია. *ბ. ლომინაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ, VIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის ერისმთავრის *ᲐრᲩილის* ძე. „მატიანე ქართლისაჲ" ცნობით, მამის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ, Ი. დას. საქართველოში ბადავიდა და დაეუფლა ეგრისს, სვანეთს, თაკვერს, არგვეთს და გურიას, რ-ებიც, ჯუანშერის ცნობით, *მირის* სიკვდილის შემდეგ არჩილს დარჩენია საუხუცესოდ.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის ეამოც., ტ. 1, თბ., 1955. *ა. ბოგვერაძე.*

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲛᲔᲚᲘ, XI ს. ქართველი კალიგრაფი. მისი გადაწერილია წმინდანთა ცხოვრების კრებული, რ-იც ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანებს შეიცავს. წიგნი (24,3×18 *სმ*) ეტრატზე კუთხოვანი, საკმაოდ მსხვილხაზოვანი ნუსხურით ერთ სვეტადაა ნაწერი. საზედაო ასოები, ყოველი თხზულების პირველი სტრიქონები და თავსამკაულები შინდისფერი მელნითაა შესრულებული. წიგნის მთელი გაფორმება Ი. ᲩᲘ-ს ეკუთვნის. მორთულობა მარტივი და უპრეტენზიოა. ტექსტისა და სამკაულების შესრულება კალიგრაფის მაღალ პროფ. დონეზე მიუთითებს.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲤᲣᲙᲐᲠᲐᲚᲘᲡᲫᲔ, XII ს. II ნახ. ქართველი კალიგრაფი, ე. წ. ტბეთის მეორე ოთხთავისა და წყაროსთავის სახარეების ერთ-ერთი გადამწერი. მოღვაწეობდა სამხრ. საქართველოში. ოთხთავი გადაწერილია 1161 წლის ახლო ხანებში, გიორგი III-ის მეფობაში, ტბეთის ეპისკოპოსის პავლე მტბევარის დაკვეთით. Ი. Შ-ს წიგნის ბოლო ნაწილი, 279—318 ფურცლები, გადაუწერია, რ-ებიც ზანდუკს (სარჩევს) შეიცავს. წყაროსთავის სახარება (25,1×17,9 *სმ*) გადაწერილია 1195 იოანე საფარელ-მტბევარის ბრძანებით. გადაწერაში გიორგი სათაანძეც მონაწილეობდა. წიგნში ჩართული მახარებელთა გამოსახულებები სხვას შეუსრულებია. სახარება იქა ოპიზრის მიერ მოჭედილ ვერცხლის ფდაშია ჩასმული. ორივე კალიგრაფის ხელი ძალიან ჰგავს ტბეთის ოთხთავის იოანესეულ ნაწილს და მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ძნელია. სახარების ტექსტი „კლასიკური" ნუსხურით ორ სვეტადაა გადაწერილი, ზომიერად დახრილი ხელით. ასოები მკაფიოა, ნაწერი — მშვიდი.

ᲘᲝᲐᲜᲘᲫᲔ ისმაილ სტეფანეს ძე [24. VIII (5. IX). 1884, სოფ. ჯიმასტარო, ქუთ. მაზრა, — 1939], რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. კომპარტიის წევრი 1904-იდან. 1904 დამდეგს იყო ქუთ. საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი. იმავე წელს თავი დაანება სწავლას და რსდმპ კავკ. კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებით სოფ. ჯიმასტაროში მოაწყო გლეხთა ს.-დ. წრე, სადაც ეწეოდა აგიტაციას, ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას. ჯიმასტაროში, გუმათში, ოფინჩხეთსა და სხვა სოფლებში შეადგინა და ხელმძღვანელობდა გლეხთა წითელ რაზმებს. 1905 დეკ. შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ თბილისში განაგრძო არალეგალური რევ. მოღვაწეობა. 1909 იყო უმუშევართა ბიუროს თავრე, 1914—17 მუშაობდა თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში. 1917 აირჩიეს რსდმპ (ბ) თბილ. კომიტეტის წევრად. 1918 მონაწილეობდა თბილ. სტუდენტთა ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში, 1918—20 შენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

ლიტ.: რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიების კრებული), თბ., 1961. *ბ. გეგეშიძე.*

ᲘᲝᲖᲔᲤᲘ (Joseph), „სალვთო რომის იმპერიის" იმპერატორები და ავსტრიის ჰაბსბურგთა მონარქიის მეფეები, **Ი. I** (26. VII. 1678, ვენა,—17. IV. 1711, იქვე), ავსტრიის იმპერატორი 1705—11. ლეოპოლდ I-ის უფროსი ძე. *ევგენი (ოიგენ) საოიელის* ზეგავლენით განაგრძო ომი *ესპანური მემკვიდრეობისათვის* (1701—14). დაიპყრო ჩრდ. იტალია. ცდილობდა იმპერატორის ძალაუფლების განმტკიცებას; ატარებდა *მერკანტილიზმის* პოლიტიკას. **Ი. II** (13. III. 1741, ვენა, — 20. II. 1790, იქვე), იმპერატორი 1765—90. ე. წ. *განათლებული აბსოლუტიზმის* წარმომადგენელი. ცდილობდა რეფორმების გზით გარდაექმნა ჰაბსბურგთა მონარქიის ყველაზე უფრო დრომოჭმული ფეოდ. ინ-ტები. ატარებდა პროტექციონიზმისა და მანუფაქტურების წახალისების პოლიტიკას. გააუქმა გლეხების პირადი ყმობა (1781—85), მოახდინა საეკლ. ქონების ნაწილობრივი სეკულარიზაცია, ხელს უწყობდა საერო სკოლების განვითარებას. ცდილობდა შემოეღო მმართველობის ცენტრ. სისტემა; გერმ. ენა მონარქიის ოფიც. ენად გამოცხადდა (1784—85). მისმა პოლიტიკამ უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ავსტრიის ნიდერლანდში და უნგრეთში. ეწეოდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. მონაწილეობდა პოლ. პირველ განაწილებაში (1772). ცდილობდა რუსეთთან დაახლოებას (1781 კავშირი) პრუსიასთან საბრძოლველად.

ᲘᲝᲙᲐᲘ (Jókai) მორ (18. II. 1825, კომარომი, — 5. V. 1904, ბუდაპეშტი), უნგრელი მწერალი. უნგრ. 1848—49 განმათ. ბრძოლის მონაწილე. რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს. უნგრ. ხალხის ცხოვრებისა და ყოფის რომანტ. სურათებია ასახული Ი-ს რომანებში „გულქვა კაცის შვილები" (1869; ქართ. თარგმ., 1967), „შავი ალმასები" (1870), „ოქროკაცი" (1872; ქართ. თარგმ., 1975). Ი-ს ეკუთვნის ქართ. თემაზე შექმნილი ნაწარმოები „რიუმინი" (ნოველათა ციკლიდან „ბერძნული ცეცხლი"). Ი-ის ნაწარმოებები ქართულად ითარგმნა XIX ს. 80-იან წლებიდან („მშობლის გული", «დროება», 1884, № 45).

ჯ. გაგნიძე.

ᲘᲝᲙᲐᲘᲢᲘ, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, ისეს ყურის ნაპირზე, მიეს პრეფექტურაში. 247 ათ. მცხ. (1975). ქვეყნის მნიშვნელოვანი ნავთობგადასამუშ. და ნავთობქიმ. ცენტრი. ბამბის ქსოვილების, ქაშანურ-კერამ., მინის ნაკეთობათა დამზადება. ფერადი მეტალურგია (სპილენძსადნობი ქ-ნა), ელექტრომანქანათმშენებლობა. თესი. ზღვისპირა კურორტი.

ᲘᲝᲙᲝᲡᲣᲙᲐ, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, მიურის ნ.-კ-ზე, ქ. იოკოჰამის სამხრ-ით 16 *კმ,* კანაგავის პრეფექტურაში. 390 ათ. მცხ. (1975). გემთსაშენი და გემთსარემონტო ვერფები, მშრალი დოკები, საზღვ. არსენალი, იარაღის ქ-ნა. მიწისქვეშა ნავთობსაცავები. თესი. ვეშაპთსაჭერი ფლოტილიის ბაზა. ავიაციის სამეცნ.-კვლ. ცენტრი. საზღვ. სასწავლებლები, საზღვ. მუზეუმი. Ი. იაპ. მთავარი სამხ.-საზღვ. ბაზაა.

ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ, ქალაქი, დიდი ეკონომიკური ცენტრი და ნავსადგური იაპონიაში. კანაგავის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. გაშენებულია კ. ჰონსიუზე, ტოკიოს ყურის ნაპირას, ტოკიოდან 30 *კმ.* დედაქალაქთან ერთად ქმნის კეიშინის საქალაქო აგლომერაციას. 2238 ათ. მცხ. (1975). საერთაშ. მნიშვნელობის სატრანსპ. კვანძი. დიდი სავაჭრო-სამგზავრო ნავსადგური (ტვირთბრუნვით ქვეყანაში მეორე). კანტოს ინდუსტრ. რ-ნის სამრეწვ. ცენტრი განვითარებულია გემთმშენებლობა და მანქანათმშ. სხვა დარგები, შავი მეტალურგია, ნავთობქიმია. არის ატომური მრეწვ. საწარმოები, სამხ. ქ-ნები, მსუბუქი და კვების მრეწვ., მინა-კერამ. წარმოება.

ქალაქი დაარსდა 1858 (მანამდე ახლანდ. Ი-ის ტერიტორიაზე იყო 2 პატარა სოფელი — კანაგავა და Ი.). XIX ს. 70-იან წლებში Ი. იაპ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. 1923 მიწისძვრისა და ხანძრის დროს ქალაქის დიდი ნაწილი განადგურდა. 1945 Ი. დაინგრა ამერ. ავიაციის თავდასხმის შედეგად.

ი. იოკაი.

ᲘᲝᲚᲓᲘᲐ (Yoldia), ზღვის *ორსაგდულიანების* გვარი. ნიჟარის სიგრძე 1-იდან 4 *სმ* აღწევს. ნიჟარის საკეტი მრავალრიცხოვანი კბილანებითაა მოფენილი. გვარში 20-მდე სახეობაა. ბინადრობენ რბილ გრუნტზე, 200-მდე *მ* სიღრმეზე. სსრკ-ში შორეული აღმოსავლეთის ზღვებში Ი-ს გვარის 8 სახეობაა გავრცელებული, ჩრდ. ზღვებში — 1 — ჩრდილოეთის Ი. (Y. hyperborea). წინათ Ი-ს გვარს აკუთვნებდნენ მოლუსკებს, რ-ებიც მოგვიანებით დამოუკიდებელ გვარებად (Portlandia და Yoldiella) გამოყვეს.



ჩრდილოეთის იოლდია.

ᲘᲝᲚᲘ (პოლანდ. jol), ორანძიანი აფრიანი გემის სახეობა (ირიბაფრებიანი). Ი-ის ტიპის *საიალქნო აღჭურვილობა* აქვს ზოგიერთ დიდ *იახტასა* და სარეწაო გემს.



იოლის ტიპის აფრიანი გემი.

ᲘᲝᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲘᲝᲛᲔᲜᲠᲘ (Yeomen, Yeomanry), XIV—XVIII სს-ში ინგლისელი გლეხები, რ-ებსაც საკუთარი შეურნეობა ჰქონდათ შემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე. Ი-ის თავდაპირველ ბირთვს წარმოადგენდნენ ფრიჰოლდერები (იხ. *ფრიჰოლდი*). მანორიალური (საადგილმამულო) სისტემის დაშლისას ყოფილ ყმათა უდიდესი ნაწილი თავისი მდგომარეობით დაუახლოვდა წვრილ ფრიჰოლდერებს და სახელწ. „Ი." მათზედაც გავრცელდა. ინგლ. XVII ს. ბურჟ. რევ. დროს Ი-მა (ქ-ების პლებეურ ელემენტებთან ერთად) გადამწყვეტი როლი ითამაშეს ფეოდ.-აბსოლ. სისტემის დამხობაში. კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებას XIX ს. დამლევისათვის შედეგად მოჰყვა Ი-ის თითქმის სრული მოსპობა.

ᲘᲝᲜᲐ (გვარად ᲕᲐᲡᲘᲚᲔᲕᲡᲙᲘ) (გ. 1849), საქართველოს ეგზარქოსი 1821—32. დიდ ყურადღებას უთმობდა *ოსეთის სასულიერო კომისიის* მუშაობას. მისი ხელშეწყობით სას. მისიები აქტ. მოქმედებდნენ თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, აფხაზეთ-



იონიზაცია. დარტყმითი იონიზაციის ალბათობა, რომელიც განისაზღვრება σ ეფექტური განივკვეთით, და მოკიდებულია შეჯახებულ ნაწილაკებსა და მათ ε კინეტიკურ ენერგიაზე; გარკვეულ მინიმალურ (ზღურბლურ) მნიშვნელობამდე ეს ალბათობა ნულის ტოლია, ε-ს გაზრდისას მკვეთრად იზრდება და აღწევს მაქსიმუმს, შემდეგ კი მცირდება. თუ დაიონებულ ნაწილაკებს დაჯახებისას დიდი ენერგია გადაეცემათ, შესაძლებელია მრავალჯერადი იონიზაცია ზემოთ: წყალბადის ატომებისა და მოლეკულების იონიზაცია ელექტრონული დარტყმით: 1 — წყალბადის ატომები; 2—წყალბადის მოლეკულები (ექსპერიმენტული მრუდები). ქვემოთ: არგონის



იონიზაცია He^+ იონებით. აბსცისათა ღერძზე გადაზომილია მაიონებელი ნაწილაკების სიჩქარე. წყვეტილი წირები გამოსახავს σ-ს დამოკიდებულებას სიჩქარეზე არგონისათვის ელექტრონული დარტყმისას



იონიკები.

იონიური ორდერი. ერექთეონის ჩრდილოეთის პორტიკი. ძვ. წ. 421—406. ათენი.

ში, საინგილოსა და ჩრდ. კავკასიაში. 1825 Ი-ს თაოსნობით სას. სასწავლებლები გაიხსნა ქუთაისში და თელავში, 1830 — ახალციხეში. ხელს უწყობდა სამღვდელოების განთავისუფლებას ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. 1829 იმერეთის სამღვდელოება (1810-მდე დაბადებულნი თავიანთი შვილებით) განთავისუფლდა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. 1831 აფხაზეთში დააარსა სას. კათედრა. 1832 სინოდში გაიწვიეს. *მ. ხუციშვილი.*

იონაგო, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს დას. ნაწილში, ტოტორის პრეფექტურაში. 118 ათ. მკს. (1974). სარკინიგზო კვანძი. წყალმარჩხი ნავსადგური ნაკანოუმის ლაგუნასთან. მეტალურგია, სას.-სამ. მანქანათმშ., გემთმშენებლობა და ლითონდამუშავების სხვა დარგები. საფეიქრო (უმთავრესად აბრეშუმის), კვების მრეწველობა. გოგირდის საბადოები.

იონავა, ქალაქი ლიტვ. სსრ-ში, მდ-ების შვიანტოიისა და ნიარისის (ნიამუნასის შენაკადი) შესართავთან. იონავის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ვილნიუს—შიაულიაის ხაზზე. აზოტის სასუქების ქ-ნა, საშენ მასალათა საწარმოები, ავეჯის კომბინატი, რძის ქ-ნა. Ი. დაარსდა XVIII ს-ში.

იონგკინდი (Jongkind) იოჰან ბართოლდ (3. VI. 1819, ლატროპი, ოვერეისელი,—9. II. 1891, კოტ-სენტ-ანდრე, საფრანგეთი), ჰოლანდიელი ფერმწერი და გრაფიკოსი. სწავლობდა ჰააგაში (1837-იდან, სამხატვრო აკადემიაში და ა. სხელფჰაუტთან) და პარიზში (1846—49). მუშაობდა ჰოლანდიაში (1855—60), ბელგიაში (1866—69) და საფრანგეთში. რეალისტმა Ი-მა გავლენა მოახდინა იმპრესიონიზმის პირველ წარმომადგენლებზე. მხატვარი თავის პეიზაჟებში ოსტატურად გადმოსცემდა სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების თავისებურებას, ხალხის შრომასა და ცხოვრებას. ბევრს მუშაობდა როგორც ოფორტისტი და აკვარელისტი.

იონები (<ბერძნ. iōn — მოსიარულე), ელექტრულად დამუხტული ატომები ან ატომთა ჯგუფები (მოლეკულები, რადიკალები და სხვ.), რ-ებიც წარმოიქმნება მათ მიერ ელექტრონების (ან სხვადასხვა დამუხტული ნაწილაკის) დაკარგვის ან შეძენის შედეგად. მ. *ფარადეიმ* 1834, რომელსაც იკვლევდა მჟავების, ტუტეებისა და მარილების წყალხსნარებზე ელექტრული დენის მოქმედებას, დაუშვა, რომ ასეთი წყალხსნარების ელექტროგამტარობა განპირობებულია Ი-ის მოძრაობით. დადებითად დამუხტულ Ი-ს, რ-ებიც ხსნარებში უარყოფითი პოლუსისაკენ (კათოდისაკენ) მოძრაობენ, ფარადეიმ კ ა ტ ი ო ნ ე ბ ი უწოდა, ხოლო უარყოფითად დამუხტულებს, რ-ებიც დადებითი პოლუსისაკენ (ანოდისაკენ) მოძრაობენ, — ა ნ ი ო ნ ე ბ ი. ამის შესაბამისად Ი-ის მუხტის ნიშანი ან დადებითია, ან უარყოფითი, მუხტის სიდიდე დამოკიდებულია ატომის მიერ დაკარგული ან შეძენილი ელექტრონების რაოდენობაზე. მაგ., Na^+, Ca^{2+}, Al^{3+}, Cl^-, SO_4^{2-}. Ი. გვხვდება ნივთიერების ყველა აგრეგატულ მდგომარეობაში — აირებში, სითხეებში, კრისტალებში.

იონების ანტაგონიზმი, ერთნაირი ელექტრული მუხტის მქონე იონთა თვისება დათრგუნონ ერთიმეორის მოქმედება. Ი. ა. განსაკუთრებით აშკარაა ცოცხალ ორგანიზმში და კოლოიდური სისტემების კოაგულაციისას. მაგ., Na^+ იონები იმ კონცენტრაციით, როგორც ბიოლ. სითხეებში, შხამიანია მრავალი უმარტივესი ორგანიზმისა და ცხოველთა იზოლირებული ორგანოებისათვის, მაგრამ შესაბამისი კონცენტრაციის K^+ ან Ca^{2+} იონთა დამატებისას,მათი შხამიანობა ითრგუნება. იმ ხნარს, რ-შიც იონთა მავნე მოქმედება განეიტრალებულია ანტაგონისტი იონების მოქმედებით, ფიზიოლოგიურად გაწონასწორებული ანუ ეკვილიბრირებული ხსნარი ეწოდება; ასეთებია *ფიზიოლოგიური ხსნარები*, ზღვის წყალი და ცოცხალ ორგანიზმთა *ქსოვილური სითხე*. Ი. ა-ის მექანიზმი გაურკვეველია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის დაკავშირებულია ბიოლ. მემბრანების გზით იონთა აქტ. ტრანსპორტთან.

იონების გადამუხტვა, ნეიტრალურ ატომებთან ან მყარი სხეულის ზედაპირთან იონების ურთიერთქმედების ელემენტარული პროცესი, რ-საც თან ახლავს ელექტრონების გაცვლა ურთიერთქმედ სხეულთა შორის. თუ პროცესს არ ახლავს სისტემის შინაგანი ენერგიის ცვლილება, მაშინ გადამუხტვას რ ე ზ ო ნ ა ნ ს უ ლ ი ეწოდება. Ი. გ. აირებში მიმდინარეობს სქემით: $A^+ + B^0 \rightarrow A^0 + B^+$. Ი. გ-ის პროცესის ეფექტური განივკვეთი დამოკიდებულია $a\Delta E/h\upsilon$ პარამეტრზე (სადაც a არის ატომის ხაზოვანი ზომა, ΔE — შინაგანი ენერგიის ცვლილება, h — პლანკის მუდმივა, υ — ნაწილაკის ფარდობითი სიჩქარე). Ი. გ-ის პროცესში მთავარ როლს *გვირაბული ეფექტი* ასრულებს.

იონესკო (Ionesco) ეჟენ (დ. 26. XI. 1912, სლატინა, რუმინეთი), ფრანგი დრამატურგი; ავანგარდისტული „აბსურდის თეატრის" ერთ-ერთი ფუძემდებელი; საფრ. აკად. წევრი (1970). წარმოშობით რუმინელი, 1938-იდან ცხოვრობს საფრანგეთში. Ი-ს პირველი პიესები, რ-თაც მან „ანტიპიესები" უწოდა, უკავშირდება სიურრეალისტური თეატრის ტრადიციებს. „მელოტი მომღერალი ქალი" (დაიდგა, 1950, გამოქვეყნდა 1953), „გაკვეთილი" (1951), „სკამები" (დაიდგა 1952, გამოქვეყნდა 1954), „მოვალეობის მსხვერპლი" (1953), „ჟაკი ანუ მორჩილება"(1955) ექსცენტრულ-გროტესკული ჟანრის პიესებს განეკუთვნება. Ი. არღვევს ტრადიც. დრამატურგიისათვის დამახასიათებელ ლოგიკურ სტრუქტურას, ქმნის მეტყველების თავისებურ სტილს, რ-იც აზროვნების ალეგიზმზეა დაფუძნებული. ცხოვრების უაზრობით შეძრწუნებული მისი გმირი შიშსა და სიმარტოვეს განიცდის. ადამიანის ყოფის ტრაგიზმი ძირითადად მეტაფიზ. ხასიათს ატარებდა პიესებში „მოწოდებით მკვლელი" (დაიდგა და გამოქვეყნდა 1958), „მარტორქა" (1959) „საჰაერო მოგზაური" (1963). დეკადენტური მოტივები არ იყო მოულოდნელი პიესებში „მეფე კვდება" (1962), „წყურვილი და შიმშილი" (დაიდგა და გამოქვეყნდა 1966) შემდეგ Ი-ს შემოქმედებაში ჩნდება ბრძოლის მოტივიც.

თხზ.: Théâtre, [v.] 1—4, P., [1954—66]; Носорог, послесл. Н. Наумова, «Иностранная литература», 1965, № 9.

ლიტ.: М и х е е в а А., Когда по сцене ходят носороги... Театр абсурда Э. Ионеско, М., 1967; П р о с к у р н и к о в а Т. Б., Французская антидрама (50—60-е годы), М., 1968. *მ. თუშმალიშვილი.*

იონეძავა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ. ნაწილში, იამაგატის პრეფექტურაში. 92,8 ათ. მკს. (1970). აბრეშუმის მრეწვ. ცენტრი. ავეჯის, კვების, ქალალდის მრეწვ. საწარმოები. საავიაციო ქ-ნა. Ი-ის რ-ნში გამოდის ცხელი მინერ. წყაროები.

იონია (ბერძნ. Iōnia), მცირე აზიის დას. სანაპიროს შუა ნაწილისა და ახლოს მდებარე კუნძულების (ქ-ებს ფოკეასა და მილეტს შორის) ძვ. ბერძნ. სახელწოდება. ძვ. წ. II ათასწლ. მეორე ნახევრიდან აქ ბერძნები (აქაველები) სახლობდნენ, მოგვიანებით (ძვ. წ. XI—IX სს-ში) *იონიელები* დასახლდნენ. Ი-ზე გადიოდა აღმ. და დას. ქვეყნების დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტ. გზები. ძვ. წ. VIII—VII სს-ში Ი. წარმოადგენდა კოლონიზაციის ცენტრს და ძვ. ბერძნ. კულტურის ერთ-ერთ კერას. ძვ. წ. VI ს-ში იგი ლიდიამ დაიპყრო, ძვ. წ. 546-იდან — სპარსეთმა. ძვ. წ. IV ს-ში მაკედონიამ დაიმორჩილა, ხოლო ძვ. წ. II ს-იდან რომმა.

იონიელები (ბერძნ. Iōnes), ერთ-ერთი ძირითადი ძველი ბერძენი ტომი. ცხოვრობდნენ ატიკაში და კ-ებზე: ევბეაზე, ქიოსზე, სამოსზე, ნაქსოსსა და სხვ. დორიელების შემოსევების შემდეგ მცირე აზიის სანაპირო ზოლი დაიკავეს, მოგვიანებით კი — შავი და მარმარილოს ზღვის სანაპიროებიც. ხშირად „იონიელებს" (ბიბლიის მიხედვით იავანი) უწოდებდნენ საბერძნეთის მოსახლეობას მთლიანად. იონიურ დიალექტზე შექმნილია მდიდარი ლიტ-რა: ჰომეროსის პოემები, ჰეროდოტეს თხზულებები, ლირიკა, პოეზია, დიდაქტ. ნაწარმოებები და მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი.

იონიზაცია, ელექტრულად ნეიტრალური ატომებისა და მოლეკულებისაგან დადებითი და უარყოფითი იონებისა და თავისუფალი ელექტრონების წარმოქმნა. ტერმინით „Ი." აღნიშნავენ როგორც ელემენტარულ აქტს [ატომიდან (მოლეკულიდან) ერთი ელექტრონის ამოგლეჯვა და დადებითი იონის წარმოქმნა; ნაწილაკების თვისებებს ასეთი Ი-ის მიმართ ახასიათებენ მისი *იონიზაციის პოტენციალით*], ის ამგვარი აქტების სიმრავლეთა ერთობლივობას (აირისა და სითხის Ი.). ა ი რ ე ბ ი შ ი Ი. ხდება ელექტრონებთან, იონებთან ან ატომებთან ნეიტრალური ატომების დაჯახებისას (დ ა რ ტ ყ მ ი თ ი Ი.), ა რ ე თ ვ ე ულტრაიისფერი, რენტგენისა და γ-გამოსხივების ზემოქმედების შედეგად. ს ი თ ხ ე ებ შ ი Ი. ხდება *ელექტროლიტური დისოციაციის* შედეგად. Ი. ხდება ა რ ე თ ვ ე *მყარ სხეულებში*. ამ შემთხვევაში მას იწვევს კრისტალის სავალენტო ზონიდან გამტარობის ზონაში ელექტრონების გადასვლა, მინარევული ატომების შემთხვევაში კი — მათ მიერ ელექტრონების დაკარგვა ან ჩაჭერა.

ლიტ.: Г р а н о в с к и й В. Л., Электрический ток в газе. Установившийся ток, М., 1971.

იონიზაციის პოტენციალი, ფიზიკური სიდიდე, რ-იც განისაზღვრება ძირითად მდგომარეობაში მყოფი ატომის (ან მოლეკულის) ერთჯერადი იონიზაციისათვის აუცილებელი უმცირესი ენერგიის ფარდობით ელექტრონის მუხტთან. Ი. ჭ. არის ზომა იონიზაციის ენერგიისა, რ-იც უდრის ატომიდან ან მოლეკულიდან ელექტრონის ამოგლეჯვის ენერგიას. და ახასიათებს ატომში ან მოლეკულაში ელექტრონის ბმის სიმტკიცეს. Ი. ჭ-ს გამოსახავენ ε-ებით; იგი რიცხობრივად უდრის ε-ით გამოსახულ იონიზაციის ენერგიას. Ი. ჭ. იზრდება ატომის იონიზაციის ხარისხის გაზრდისას.

იონიის ზღვა, ხმელთაშუა ზღვის ცენტრ. ნაწილი, ბალკანეთის ნ.-კ-ის სამხრ.-დას.; აპენინის ნ.-კ-ის სამხრ.-აღმ. ნაპირებს და კ. კრეტასა და კ. სიცილიას შორის. ოტრანტოს სრუტით (ჩრდ.) უერთდება ადრიატიკის ზღვას, მესინის სრუტით (დას.) — ტირენის ზღვას. ნაპირები ძლიერ დანაწევრებულია. დიდი ყურეებია: პატრაიკოსი, კორინთისა და ტარანტო. ზღვის სიღრმე 4594 *მ*-მდე აღწევს. წყლის ტემპ-რა 14°C-იდან (თებ.) 25,5°C-მდეა (აგვ). მარილიანობა 38‰-ზე მეტი. თევზჭერა. დიდი ნავსადგურებია: პატრი, კერკირა (საბერძნეთი), ტარანტო, კატანია (იტალია).

იონიის კუნძულები (Iónioi nēsoi), კუნძულთა ჯგუფი იონიის ზღვაში, ბალკანეთის ნ.-კ-ის დას. ნაპირთან. ეკუთვნის საბერძნეთს. ფართ. 2,2 ათ. *კმ*²-ზე მეტი. შედგება 5 დიდი კუნძულისა (კერკირა, ლევკასი, კეფალინია, ითაკე, ზაკინთოსი) და მრავალი მცირე კ-ისაგან, რ-ებიც მთების დაძირვის შედეგად წარმოიქმნა. ხშირია მიწისძვრა. ნაპირები დანაწევრებულია და ფლატოვანია. კუნძულების ზედაპირი მთიანია (სიმაღლე 1628 *მ*-მდე), ძირითადად აგებულია კირქვებითა და თიხოვანი ფიქლებით. მთის კალთებზე გაბატონებულია მაკვისი, შემორჩენილია მუხნარიც. ბარში ზეთისხილის ბაღები, ვენახები და ციტრუსებია გაშენებული. მისდევენ მეცი-

ᲒᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, თევზჭერას. Ი. ᲐᲜ-ზეა ქ-ები: ᲒᲔᲠᲙᲘᲠᲐ, ᲐᲠᲒᲝᲡᲢᲝᲚᲝᲜᲗᲝᲡᲘ, ᲖᲐᲙᲘᲜᲗᲝᲡᲘ.

ᲘᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ორნამენტული მოტივი იონიური და კორინთული არქიტექტურული ორდერების სვეტისთავებსა და კარნიზებში (იხ. *იონიური ორდერი, კორინთული ორდერი*). მიიღება ოვალური ამოზნექილი ფორმებისა და წვეროთი ქვევით მიმართული ფოთლების მონაცვლეობით.

ᲘᲝᲜᲘᲢᲔᲑᲘ, ᲘᲝᲜᲘᲜᲘᲛᲘᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ, ᲘᲝᲜᲘᲜᲘᲛᲘᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲡᲝᲠᲑᲔᲜᲢᲔᲑᲘ, *იონური მიმოცვლის* უნარის მქონე მყარი, პრაქტიკულად უხსნარი ნივთიერება ან მასალა. Ი-ს შეუძლიათ ელექტროლიტთა ხსნარებიდან შთანთქონ დადებითი ან უარყოფითი იონები (კატიონები ან ანიონები) და მათ ნაცვლად გამოყონ იგივე ნიშნის მუხტის მქონე ეквივალენტური რაოდენობის იონები. Ი-ის მოლეკულური სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სივრცითი ბადე, ან გისოსი ფიქსირებული იონებით, რ-თა ხუხტს აკომპენსირებენ საწინააღმდეგო ნიშნის მუხტის მქონე მოძრავი იონები, ე. წ. ინტიიონები. ამ უკანასკნელთა მონაწილეობით ხდება იონთა მიმოცვლა ხსნართან. მიმოცვლის უნარის მქონე იონთა მუხტის ნიშნის მიხედვით Ი-ს ყოფენ ანიონიტებად და კატიონიტებად. პირველნი ამცლავნებენ ფუძე თვისებებს, მეორენი კი — მჟავურს. თუ Ი-ს შეუძლიათ მიმოიცვალონ როგორც კატიონები, ისე ანიონები, მათ ამფოტერულს უწოდებენ. ქიმ. ბუნების მიხედვით განარჩევენ არაორგ. (მინერალურ) და ორგ. Ი-ს; წარმოშობის მიხედვით კი ბუნებრივს, ხელოვნურს ანუ სინთეზურს. გარდა ამისა, სპეც. თვისებების, სტრუქტურული თავისებურებების, დანიშნულებისა და სხვა ნიშნების მიხედვით Ი-ს ყოფენ სხვადასხვა ტიპებად და ჯგუფებად.

არაორგ. Ი-იდან პრაქტ. მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ და სინთეზურ ალუმოსილიკატებს (ზოგიერთი თიხოვანი მინერალები, ცეოლითები, პერმუტიტები), მრავალვალენტოვანი ლითონების მარილებსა და ჰიდროჟანგებს. იყენებენ აგრეთვე ნახშირის, ცელულოზის, ლიგნინისა და სხვათა ბაზაზე. დამუშავებით მიღებულ Ი-ს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია სინთეზური ორგ. Ი. — *იონმიმოცვლითი ფისები.*

Ი-ის უმნიშვნელოვანესი თვისებაა მათი შთანთქმითი უნარი, ანუ ე. წ. მიმოცვლითი ტევადობა, რ-საც გამოსახავენ ელექტროლიტის ხსნართან წონასწორობაში მყოფი Ი-ის ერთეულოვანი მასის ნ მოცულობის მიერ შთანთქმულ იონთა აქსიმალური რიცხვით.

Ი-ს იყენებენ ჰიდრომეტალურგიაში, იმ. და კვების მრეწველობაში და სხვ.

Ბ. მელუა.

ᲘᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲙᲘᲚᲝ (მუს.), ერთ-ერთი უძველესი კილო, რომელიც თანამედროვე ბუნებრივ მაჟორს შეესაბამება. იხ. *ბუნებრივი კილოები, შუა საუკუნეების კილოები.*

ᲘᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲓᲔᲠᲘ, სამი მთავარი ბერძნული *არქიტექტურული ორდერიდან* ერთ-ერთი. Ი. Ო-ის ძირითადი, მცირეაზიური, ვარიანტი ჩამოყალიბდა ძვ. საბერძნეთის იონიური პროვინციების ქვის ხუროთმოძღვრებაში ძვ. წ. 560—500 (არტემიდას ტაძარი ეფესოში, დაიწყო ძვ. წ. VI ს. შუა წლებში, არქიტ. ქერსიფრონე და მეტაგენე). *ორიული ორდერისაგან* განსხვავებით, Ი-ის პროპორციები უფრო მსუბუქია და სვეტი ყველა ნაწილის დეკორიც უფრო დიდრული. სხვა არქიტ. ორდერთაგან განსხვავებით, მისი სვეტისთავი შემკულია ვოლუტებით. Ი. Ო-ის რამდენიმე ვარიანტი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ელინიზმის ეპოქაში.

ᲘᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ, მატერიალისტური მიმართულება ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში; ჩაისახა და განვითარდა საბერძნეთის იონიურ კოლონიებში ძვ. წ. VI—V სს-ში. მისმა წარმომადგენლებმა (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენე, ჰერაკლიტე) პირველებმა გაილაშქრეს სამყაროს მითოლ. ახსნის წინააღმდეგ და მისი ბუნებრივი ახსნა სცადეს. ისინი სტიქიური მატერიალიზმისა და გულუბრყვილო დიალექტიკის პოზიციებზე იდგნენ. მათი ძირითადი ამოცანა ბუნების შემეცნება იყო.

ლიტ.: გოგიბერიძე მ., რჩ. ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1972; დანელია ს., ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ, ტფ., 1926; კუკავა თ., ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, წგნ. 1, თბ., 1972; წერეთელი ს., ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968. *ა. გელაშვილი.*

ᲘᲝᲜᲙᲔᲠᲡᲘ (Yonkers), ქალაქი აშშ-ში, ატლანტიკურ სანაპიროზე, მდ. ჰუდსონის მარცხ. ნაპირას, ნიუ-იორკის შტატში. ნიუ-იორკის ჩრდ. გარეუბანი. 200 ათ. მცხ. (1975). განვითარებულია მსუბუქი მრეწვ. (მზა ტანსაცმლის, შლაპების, ხალიჩების, ტრიკოტაჟის წარმოება), არის შაქრისა და ფარმაცევტული ქ-ნები.

ᲘᲝᲜᲘᲛᲘᲛᲝᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲤᲘᲡᲔᲑᲘ, სინთეზური მაღალმოლეკულური (პოლიმერული) ორგანული *იონიტები.* განასხვავებენ კატიონმიმოცვლით (პოლიმჟავები), ანიონმიმოცვლით (პოლიფუძეები) და ამფოტერულ ანუ ბიპოლარულ (პოლიამფოლიტები) Ი. Ფ-ს. კატიონმიმოცვლითი ფისები შეიძლება იყოს ძლიერ- და სუსტმჟავური, ანიონმიმოცვლითი — ძლიერ- და სუსტფუძიანი. სტრუქტურის მიხედვით განარჩევენ მიკროფორიანს ანუ გელისებრ და მაკროფორიანს Ი. Ფ-ს. გელისებრი ფისების ნაწილაკები ჰომოგენურია, მაკროფორიანი ფისებისა კი — ჰეტეროგენული; ჰეტეროგენული Ი. Ფ-ის ნაწილაკთა სტრუქტურა ლრუბლისებურია, მათში იონური მიმოცვლა ფორების დიდი დიამეტრის გამო შედარებით ადვილად მიმდინარეობს.

Ი. Ფ. შეიძლება განვიხილოთ როგორც უხსნარი *პოლიელექტროლიტები.*

Ი. Ფ-ს ღებულობენ *პოლიმერიზაციით, პოლიკონდენსაციით* ან პოლიმერანალოგიური გარდაქმნით. იყენებენ წყლის დეიონიზაციისათვის, იშვიათად ელემენტების გამოყოფისა და დაყოფისათვის და სხვ.

ᲘᲝᲜᲝᲡᲤᲔᲠᲝ (*იონი* და ბერძნ. sphaira — ბურთი), ზედა ატმოსფეროს ნაწილი, რ-იც წარმოადგენს დედამიწის მაგნიტურ ველში მყოფ სუსტად დაიონებულ გაიშვიათებულ პლაზმას. მდებარეობს საშუალოდ 50 *კმ*-ზე მაღლა. ახასიათებს მაღალი ელექტროგამტარობა, რაც მასში რადიოტალღებისა და სხვადასხვა შეშფოთებათა გავრცელების ხასიათს განსაზღვრავს (იხ. *რადიოტალღების გავრცელება*). მხოლოდ Ი-ს არსებობითაა შესაძლებელი შორ მანძილებზე რადიოკავშირის დამყარება (იხ. *იონოსფერული რადიოკავშირი*).

Ი-ში სხვადასხვა სიმაღლეზე არსებობს იონიზაციის რამდენიმე მაქსიმუმი და მათი შესაბამისი ფენა (იხ. ნახ. 1, 2 და ცხრ.). Ი-ში განუწყვეტლივ მიმდინარეობს *იონიზაცია* და მისი უკუპროცესი რეკომბინაცია. იონიზაციის ძირითადი წყაროა მზის კორპუსკულური ნაკადი და ულტრაიისფერი გამოსხივება, კოსმ.სხივები, მეტეორების ნაკადი და სხვ.

Ი. განუწყვეტლივ ცვალებადობს. განარჩევენ რეგულარულ ცვალებადობას და არარეგულარულ შეშფოთებას. რეგულარული ცვალებადობა ძირითადად განპირობებულია ჰორიზონტის მიმართ მზის მდებარეობითა და მისი აქტიურობის 11-წლიანი და 27-დღიანი ვარიაციებით, ხოლო შეშფოთებები — მზეზე აალებით. ამ დროს ძლიერდება ულტრაიისფერი და რენტგენის გამოსხივება, რაც აძლიერებს ფენის იონიზაციას; დედამიწაზე სუსტდება ან სრულიად წყდება საშ. ან მოკლეტალღიანი რადიოკავშირი. Ი-ს შეშფოთების მომენტის წინასწარმეტყველებას დიდი მნიშვნელობა აქვს რადიოკავშირის მოსალოდნელი დარღვევის პროგნოზირებისათვის.

Ი-ს კვლევის ძირითადი მეთოდია მისი ვერტ. ზონდირება რადიოტალღების საშუალებით, რაც სპეც. სადგურებიდან ხორციელდება. ამჟამად Ი-ს კვლევის საქმეში დიდ როლს თამაშობს გეოფიზ. რაკეტები, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმ. ხომალდები.

ლიტ.: ნოდია ზ., დედამიწის მაგნეტიზმი, ტ. 1—2, თბ., 1969; Альперт Я. Л., Распространение радиоволн и ионосфера, М., 1960. *ა. ხანთაძე.*

ᲘᲝᲜᲝᲡᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, შორეული *კავშირგაბმულობის* სახეობა; ინფორმაცია გადაიცემა ატმოსფეროს დაიონებული უბნებიდან არეკლილი 3—30 *მეგაჰც* სიხშირის დეკამეტრული რადიოტალღების მეშვეობით. იონოსფეროდან რადიოტალღათა არეკვლას ან მასში გავლას განაპირობებს რხევათა სიხშირე. ამის გამო იონოსფერული რადიოსარელეო ხაზების მოწყობისას იყენებენ განსაზღვრული დიაპაზონის (4 *მ*-იდან 12 *მ*-მდე) რადიოტალღებს. სიგნალის დონეზე გავლენას ახდენს გეოგრ. განედი (მისი ზრდა იწვევს განბნევის ინტენსიურობის გადიდებას). ზაფხულობით განბნევა მატულობს, ზამთრობით იკლებს. სიგნალის დონე იცვლება დღის განმავლობაშიც. აღსანიშნავია, რომ მზის აქტივობის პერიოდში იონოსფეროს შეშფოთებები მატულობს, რაც უარყოფითად მოქმედებს მოკლეტალღიანი კავშირის ხარისხზე, სამაგიეროდ აუმჯობესებს იონოსფერული რადიო-სარელეო ხაზების მუშაობის ხარისხს. *შ. ბებიაშვილი.*

ᲘᲝᲜᲣᲠ-ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲛᲘᲡᲘᲐ, ვაკუუმში მყარი სხეულის ზედაპირიდან ელექტრონების გამოფრქვევა იონური დაბომბვის შედეგად. Ი.-Ე. Ე-ის მოვლენას იყენებენ ელექტრონულ მამრავლებლებში, ელექტრონულ მიკროსკოპებში, აგრეთვე პლაზმის ფიზ., მყარ სხეულთა სტრუქტურისა და ამ სტრუქტურის დეფექტების შესწავლისას.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲑᲛᲐ, ელექტროვალენტური ბმა, ჰეტეროვალენტური ბმა, ქიმ. ბმის ერთ-ერთი სახე, რ-იც წარმოიქმნება საწინააღმდეგო ნიშნის მქონე დამუხტულ იონებს შორის ელექტროსტატ. ურთიერთქმედების შედეგად. ამგვარი ბმა ძირითადად ახასიათებს ტუტე ლითონთა ჰალოგენიდებს, მაგ., KF, ვინაიდან ტუტე ლითონებს გარე ელექტრონულ გარსზე თითო სუსტად ბმული ელექტრონი აქვს, ჰალოგენების ატომებისათვის კი დამახასიათებელია ელექტრონისადმი დიდი სწრაფვა (იხ. *ვალენტობა, ქიმიური ბმა*).

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲝᲑᲐ ბიოლოგიურ სისტემებში უმთავრესად იონთა *დიფუზიით* არის განპირობებული; დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთიერებათა ტრანსპორტისათვის ცალკეულ უჯრედულ სტრუქტურათა შორის, ბიოელექტრული იმპულსების გენერირებისა და გატარებისათვის, აგრეთვე პოტენციალთა სხვაობის შექმნისათვის როგორც უჯრედის ცალკეულ ორგანელებს, ისე მის გარეგან და შინაგან



ნახ. 1. იონოსფეროს ვერტიკალური აგებულების სქემა F ზედა ფენა შეესაბამება იონიზაციის მთავარ მაქსიმუმს ღამით ეს ფენა 300 — 400 კმ სიმაღლეზე ადის; დღისით (ძირითადად ზაფხულში) ორ F_1 და F_2 ფენად იყოფა, რომელთა იონიზაციის მაქსიმუმებია შესაბამისად 160—200 და 220—320 კმ-ზე E ფენა განლაგებულია 90 — 150 კმ-ის სიმაღლეზე, ხოლო D ფენა — 90 კმ-ზე დაბლა.



ნახ. 2. იონოსფეროში n_e ელექტრონული კონცენტრაციის ტიპური განაწილება ვერტიკალური მიმართულებით. D, E, F, F_1, F_2— იონოსფეროს რეგულარული ფენებია, Es—გაძლიერებული იონიზაციის ვიწრო ფენა, რომელიც მცირე დროის განმავლობაში არსებობს (ჩნდება D და E ფენების დონეზე).

ᲘᲝᲜᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲤᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ

იონოსფეროს ფენები	იონიზაციის მაქსიმუმის საშუალო სიმაღლე, *კმ*	ელექტრონული კონცენტრაცია n_e, *სმ*$^{-3}$		
		დღისით		ღამით
		მზის აქტიურობა		
		მაქსიმუმი	მინიმუმი	
D	70	200	100	10
E	110	$3\cdot10^5$	$1{,}5\cdot10^5$	3000
F_1	180	$5\cdot10^5$	$3\cdot10^5$	—
F_2 (ზამთარში)	200—280	$25\cdot10^5$	$6\cdot10^5$	დაახლ. 10^5
F_2 (ზაფხულში)	250—320	$8\cdot10^5$	$2\cdot10^5$	$3\cdot10^5$



მუდმივდენისძრავიანი იონური ელექტროამძრავის სქემა: V_1 — მკვებავი ქსელის ძაბვა; ტ — ტრანსფორმატორი; იგ — იონური გარდამქმნელი; ძ—ძრავა; დბ—დაცვის ბლოკი; მს — მართვის სისტემა.



იონური პროექტორის სქემა: 1 — თხევადი წყალბადი; 2 — თხევადი აზოტი; 3 — წვეტი; 4 — გამტარი რგოლი; 5 — ეკრანი.

არეს შორის. *ბიოელექტრული პოტენციალების* გენერირების თეორიაში ცალკეულ იონთა ნაკადს პარციალურ O. გ-ს უწოდებენ.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲐᲛᲫᲠᲐᲕᲐ, ამძრავი, რ-იც შედგება ელექტროძრავასა და ძრავას მუშაობის რეჟიმების მმართველი იონური გარდამქმნელისაგან. განასხვავებენ მუდმივი და ცვლადი დენის O. ე-ებს. პირველის გარდამქმნელს ჩაურთავენ ლუზის ან მუდმივი დენის ძრავას აგზნების გრაგნილებს, მეორისას — ასინქრონული ან სინქრონული ელექტროძრავას სტატორის ან როტორის გრაგნილებს. მუდმივი დენის O. ე-ის გარდამქმნელი წარმოადგენს ბოგური სქემის მიხედვით დამზადებულ ან ნულოვანი გამომყვანის მქონე *გამმართველს*, ცვლადი დენისა კი — სიხშირის გარდამქმნელს, რ-იც აწყობილია სქემით „გამმართველი — ინვერტორი" ან უშუალო კავშირის მქონე სქემით. O. ე-ს იყენებენ მძლავრ საგლინ დგანებში, საწეველებში, ვენტილატორებში, ჩარხებში, რკინიგზის ელექტრულ მოძრავ შემადგენლობაში და ა. შ.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘᲡᲘᲐ, დადებითი და უარყოფითი იონების ამოტყორცნა მყარი სხეულის ან სითხის (ემიტერის) ზედაპირიდან. შეჭიდულობის ძალების დასაძლევად საჭირო ენერგია იონმა შეიძლება შეიძინოს ემიტერის გახურებისას(თერმოიონური ემისია), ზედაპირის დასხივებისას იონებით (იონურ-იონური ემისია), ელექტრონებით (ელექტრონულ-იონური ემისია) ან ფოტონებით (ფოტოდესორბცია).

ᲗᲔᲠᲛᲝᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘᲡᲘᲐ ხდება იონების სახით ემიტერის ნაწილაკების აორთქლებისას. თერმოიონური ემისიის რაოდენობრივი მახასიათებელია α იონიზაციის ხარისხი, რ-იც განისაზღვრება როგორც იონების n_i რიცხვის ფარდობა, იმავე ქიმ. შედგენილობის იმ ნეიტრალური ნაწილაკების n_0 რიცხვთან, რ-ებიც ორთქლდებიან ემიტერის ზედაპირიდან დროის გარკვეულ შუალედში. თერმოიონურ ემისიას იყენებენ იონური კონების მისაღებად, ნახევრად გამტარებში მინარევების იონური ჩანერგვის მიზნით და ა. შ.

ᲘᲝᲜᲣᲠ-ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘᲡᲘᲐ (მეორეული იონიზაცია) ხდება ზედაპირის იონების კონით დასხივებისას. ამ დროს მეორეული იონები და ნეიტრალური ნაწილაკები ამოიტყორცნება. O. ე-ის ეს სახესხვაობა ხასიათდება ემისიის k კოეფიციენტით, რ-იც უდრის მოცემული ტიპის მეორეული იონების n_2 რიცხვის ფარდობას პირველადი იონების n_1 რიცხვთან.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ-ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲔᲛᲘᲡᲘᲐ. ელექტრონებით ემიტერის ზედაპირის დაყუმბარებისას მათი კინეტიკური ენერგიის ნაწილი იხარჯება ზედაპირთან მყოფი ნაწილაკების ბმების გასაწყვეტად. ამ დროს ამოიფრქვევა იონები, რასაც ადსორბირებული ნაწილაკების მდგომარეობის შესასწავლად იყენებენ.

ᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲓᲔᲡᲝᲠᲑᲪᲘᲐ. სინათლის კვანტის შთანთქმამ შეიძლება გამოიწვიოს სამიზნე მოლეკულების დაშლა იონებად, ან ატომის ან მოლეკულის იონიზაცია. ამ დროს წარმოქმნილ იონთა ნაწილი ამოიტყორცნება ემიტერის ზედაპირიდან.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲝᲪᲕᲚᲐ, იონების მიმოცვლა ელექტროლიტების ხსნარებში. ᲰᲝᲛᲝᲒᲔᲜᲣᲠᲘ O. მ. მიმდინარეობს განზავებულ ელექტროლიტთა ხსნარების (მაგ., NaCl და KNO_3) შერევისას. ნარევში არის Na^+, K^+, NO_3^- და Cl^- იონები, რ-თა წონასწორობა შეიძლება გამოვსახოთ განტოლებით: $NaCl + KNO_3 \rightleftarrows NaNO_3 + KCl$ (ორმაგი მიმოცვლის რეაქცია). ᲰᲔᲢᲔᲠᲝᲒᲔᲜᲣᲚᲘ O. მ-ისას მიმოცვლა მიმდინარეობს ხსნარში და მყარი ფაზის ზედაპირზე (იონიტზე) მყოფ იონებს შორის. ᲰᲔᲢᲔᲠᲝᲒᲔᲜᲣᲚ O. მ-ს ფართოდ იყენებენ ჰიდრომეტალურგიაში, წყლის გაუმარილოებისათვის, ქიმ.და ფარმაცევტულ მრეწველობაში. იხ. *იონიტები*.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ავტოიონური მიკროსკოპი, ულინზო იონურ-ოპტიკური ხელსაწყო, რ-იც რამდენიმე მილიონჯერ ადიდებს მყარი სხეულის ზედაპირის გამოსახულებას. მისი მეშვეობით შესაძლებელია კრისტ. გისოსში ცალკეულ ატომთა განლაგების დანახვა. O. პ-ში თვით ობიექტია „ლინზა", რ-იც გამოსახულებას ქმნის. ამ ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი ემყარება ავტოიონიზაციის მოვლენას (აირის იონიზაცია საკვლევი ობიექტის ზედაპირთან ძლიერ ელექტრულ ველში). O. პ. გამოიგონა გერმ. მეცნ. ე. მიულერმა 1951.

O. პ-ს ფართოდ იყენებენ ლითონებისა და მათი შენადნობების სტრუქტურათა გამოსაკვლევად, კოროზიის, ადსორბციის, დესორბციის პროცესების, აგრეთვე ბიოლ. მოლეკულების სტრუქტურათა შესასწავლად და სხვ. *გ. კიკვილაშვილი.*

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲣᲡᲘ, იონების პირობითი მახასიათებელი, რ-საც იონურ კრისტალებში ბირთვებს შორის მანძილის მიახლოებითი განსაზღვრისათვის იყენებენ. O. რ-ის მნიშვნელობანი კანონზომიერად არის დაკავშირებული ელემენტთა პერიოდულ სისტემაში ელემენტების მდებარეობასთან. O. რ. ფართოდ გამოიყენება *კრისტალოქიმიაში* და *გეოქიმიაში*.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲣᲚᲘ ᲫᲠᲐᲕᲐ, იგივეა რაც *ელექტროსტატიკური რაკეტული ძრავა*.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ, იონების მიმართული ნაკადის (კონის) მისაღები მოწყობილობა. O. წ. *დამუხტული ნაწილაკების აჩქარებლების, მას-სპექტრომეტრის,* იონური მიკროსკოპის, იზოტოპების ელექტრომაგნ. განმაცალკევებლის (იხ. *იზოტოპების განცალკევება*) და სხვა მრავალი მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲔᲑᲘ, აირგანმუხტვის ხელსაწყოები, ელექტროვაკუუმიანი ხელსაწყოები, რ-თა მუშაობის პრინციპი ემყარება აირში ან ლითონის ორთქლში ელექტრული დენის გავლისას მიმდინარე პროცესებს. O. ხ. შედგება ჰერმეტულ ბალონში მოთავსებული სხვადასხვა ფორმის ორი ან მეტი ელექტროდისაგან. ბალონში არის აგრეთვე რომელიმე ინერტული აირი (ნეონი, არგონი და სხვ. ან მათი ნარევი), ლითონის (ვერცხლისწყლის) ორთქლი ან წყალბადისა და წყლის ორთქლის ნარევი. O. ხ-ის თვისებებს განსაზღვრავს ბალონის აირად გარემოსა და ელექტროდებს (ანოდი და გახურებული ან ცივი კათოდი) შორის არსებული ელექტრული ველისა და ელექტრონების ნაკადის ურთიერთქმედება. O. ხ-ში ანოდისაკენ მოძრავი ელექტრონები ეჯახება აირის ატომებს (ან მოლეკულებს) და იწვევს მათ დაიონებასა და აგზნებას. ამის შედეგად იზრდება დამუხტული ნაწილაკების რაოდენობა და დენის ძალა. ელექტრულ განმუხტვას ხშირად ახლავს აირის ნათება. განმუხტვის მომენტს არეგულირებენ დამატებითი ელექტროდების პოტენციალის მეშვეობით.

დამუხტული ნაწილაკების წარმოქმნის მიხედვით O. ხ. ორი ტიპისაა: თავისთავადი (ცივკათოდიანი) და არათავისთავადი (ცხელკათოდიანი) განმუხტვისა. პირველში დენი მიიღება დაიონების შედეგად წარმოქმნილი ელექტრონებისა და იონების მოძრაობით, მეორეში კი — კათოდიდან ამოფრქვეული ელექტრონების მოძრაობითაც.

O. ხ-ის ტიპები აირული განმუხტვის სახეების მიხედვით: მღვივარი განმუხტვის ხელსაწყოები (ნეონის ნათურა, სტაბილიტრონი, ცივკათოდიანი ტირატრონი, დეკატრონი, ინდიკატორული ნათურა და სხვ.) — ბალონში წნევა რამდენიმე ათეული $б/м^2$-ია, დენის ძალა არ აღემატება რამდენიმე *მა*, სწრაფმოქმედება ასეული *მკწმ*-ია (სამუშაო სიხშირე კი — რამდენიმე ათეული *კჰც*); რკალური განმუხტვის ხელსაწყოები (გაზოტრონი, ტირატრონი, ტასიტრონი, კლიპერული ხელსაწყოები და ა. შ.) — შიგა წინაღობაა ათეული *ომ*, ძაბვის ვარდნა კი — 10—20 *ვ* (იმპულსური რეჟიმით მუშაობისას — 100—200 *ვ*). ამ ხელსაწყოებში ზოგჯერ ვერცხლისწყლის თხევად კათოდებს (ექსიტრონში და იგნიტრონში) იყენებენ; ნაპერწკლური განმუხტვის ხელსაწყოები (მართვადი და არამართვადი განმმუხტველები — ტრიგატრონები) — ელექტროდებს შორის ნაპერწკლური განმუხტვა მაშინ იწყება, როცა ძაბვის სიდიდე გარღვევის ძაბვას გაუტოლდება; ამ დროს განმუხტვის შუალედის კამტარობა მკვეთრად იცვლება; გვირგვინისებრი განმუხტვის ხელსაწყოები (სტაბილოტრონი და სხვ.) — აირის წნევა ასეულ *б/м²*-ს უდრის, აირის იონიზაცია გამოწვეულია ორივე ელექტროდის ან ერთ-ერთის ახლოს ელექტრულ ველის არაერთგვაროვნებით.

O. ხ-ია აგრეთვე აირგანმუხტვის სინათლის წყაროები (რ-თა უმრავლესობა რკალური განმუხტვის რეჟიმით მუშაობს); ულტრაიისფერი გამოსხივების ნათურები; აირული ლაზერები (ატომური, იონური, მოლეკულური).

O. ხ-ის ცალკე ჯგუფს ქმნიან ატენიუატორები, განმმუხტველები, ფაზის მაბრუნებლები და მისთ., რ-თა მუშაობის პრინციპი აირისა და ზემაღალი სიხშირის ველის ურთიერთქმედებას ემყარება.

გ. კიკვილაშვილი.

ᲘᲝᲜᲘᲩᲐ, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (ძვილეთის სოფსაბჭო), მდ. შუაფრონის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 760 *მ*, ზნაურიდან 8 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ*. ველების მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ძვილეთში (5 *კმ*).

ᲘᲝᲜᲯᲐ (Medicago), მცენარის გვარი პარკოსანთა ოჯახისა. უმთავრესად ერთ- და მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. აქვს 70—90 *სმ* (ზოგჯერ 150 *სმ*) სიგრძის ღეროები, რ-ებიც ბუჩქს ქმნიან; ფოთოლი სამყურაა, ყვავილედი—მტევანი; 15—20 კაშკაშა ყვავილით. ნაყოფი სპირალისებურად დახვეული პარკია. ოვალური თირკმლისებრი თესლი ყვითელი ან მოყვითალო-წაბლაა. ფესვთა სისტემა მთავარღერძოვანი, მძლავრი და დატოტვილია; ნიადაგში ღრმად (5—10 *მ*-მდე) ჩადის. ცნობილია O-ის 100 სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და აფრიკაში; სსრკ-ში 60 სახეობაა, რ-თა უმეტესობა მოჰყავთ მწვანე საკვებისა და თივის დასამზადებლად. პირუტყვი O-ის ყვავილანაირ საკვებს გემრიელად ჭამს, ადვილად ინელებს (მონელებადობა 70—80%-ს აღწევს). 100 *კგ* მწვანე მასა შეიცავს 21,6 საკვებ ერთეულს და 4,1 *კგ* მონელებადი ცილას (პროტეინს); 100 *კგ* თივა — 45,8 საკვებ ერთეულს და 10,3 *კგ* მონელებადი ცილას. O-ის სამშობლოა ირანი, შუა აზია და კავკ. მთები და მთისწინები. სსრკ-ში უმთავრესად გავრცელებულია სამხრ. რ-ნებში. უმეტესად მოჰყავთ ლურჯა (M. sativa), ყვითელი (M. falcata) და ჰიბრიდული O. ურწყავი რ-ნების ნოყიერ ნიადაგებზე მას წელიწადში 2—3-ჯერ თიბავენ (60—90 *ც* თივა *ჰა*-ზე), ხოლო სარწყავზე—4—7-ჯერ (200—250 *ც* თივა *ჰა*-ზე). ყველაზე დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ლურჯა და ჰიბრიდულ O-ს. სსრკ-ში გამოყვანილი და შესწავლილია 200-ზე მეტი სელექციური და ადგილ. ჯიში. საქართველოში O. ყველგან გავრცელდება. გავრცელებულია სლავური, ადგილ. და უნგრული ადგილ. ჯიშები; ადგილ. ჯიშია ქართული O.

მ. დალაქიშვილი.

ᲘᲝᲯᲔᲤᲘ (József) ატილა (2. IV. 1905, ბუდაპეშტი, — 3. XII. 1937, ბალატონსარ-

ო), უნგრელი პოეტი-ლირიკოსი. სწავ-ᲮᲝᲑდა სეგედის უნ-ტში, საიდანაც გარი-ᲮᲔს ანტირელიგ. და რევ. ლექსებისათვის. მიგრაციაში იმყოფებოდა ვენასა და პა-Რიზში. ლექსთა პირველი კრებ. „სილამა-ᲖᲘს მათხოვარი" გამოსცა 1922. Ი. გაეცა-ო მარქსისა და ლენინის შრომებს, დაუ-ᲐᲕშირდა მუშათა მოძრაობას. 1930 კომ-Არტიაში შევიდა. Ი. ავტორია ლექსთა რებულებისა: „გარეუბნის ღამე" (1932), დათვის ცეკვა" (1934), „ძლიერ მტკივა" 1936) და სხვ. მისი ლექსები თარგმნი-ᲮᲘა ქართულ ენაზე („საუნჯე", 1976, №1).

ᲘᲝᲠ-ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲐᲣᲖᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, იორ-ᲚᲐᲖᲜᲘᲡ აუზის ტერიტორიაზე მოსახლე, აკმაოდ დაწინაურებული მიწათმოქმე-ᲛᲔ, მესაქონლე, მეტალურგი და მეთუნე ᲮᲝმების მატერიალური კულტურა. ად-ᲠᲘნდ. და შუა ბრინჯაოს ხანაში შედიოდა ᲒᲔრ მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. II ათასწლ.), შემდეგ თრიალეთის კულ-ᲢᲣრის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) ᲐᲕრცელების სფეროში. გვიანბრინჯაოს ანის ადრეული საფეხურისათვის აღნიშ-Ნულ ტერიტორიაზე კვლავ მთელი ცენტრ. მიერკავკასიისათვის დამახასიათებელი ულტურა ჩანს გავრცელებული. დაახლ. ᲒᲐ. წ. XIII ს-იდან აღნიშნულ ტერიტორია-ᲖᲔ ძველის განვითარების საფუძველზე ჩა-ᲧᲐლიბდა განსხვავებული კულტურა. მის-ᲘᲡ დამახასიათებელია ე. წ. კახური შედ-Ენილტარიანი სატევრები და მახვილები, რინჯაოს მთელმასრიანი შუბისპირები ასრაზე ორი რელიეფური სარტყლით, ონცენტრული ღარებით შემკული თიხის ურჭელი და სხვ. დაახლ. ძვ. წ. XI ს-იდან 8 კულტურის განვითარების შედეგად აᲩნდა 3 ლოკალური ვარიანტი, რ-თა გა-Რცელება დაახლოებით ისტ. კახეთის, უხეთისა და ჰერეთის საზღვრებს ემთ-ᲕᲔვა. მატერ. კულტ. ეს ჯგუფები ერთმა-Ეთისაგან ძირითადად საბრძოლო იარა-ᲦᲘს თავისებურებით განსხვავდება. ძვ. წ. Ა ათასწლ. I ნახ. ბოლოდან, სახელმწი-ᲤᲝს წარმოშობის წინა საფეხურზე, იორ-ᲚᲐᲖᲜᲘს აუზის ტერიტორიაზე მოხდა ᲛᲐტერ. კულტ. ნიველირება, თუმცა ძვ. წ. I ათასწლეულში შემუშავებული ამ კულ-ᲢᲣრის დამახასიათებელი ზოგი ნიშანი ახ. Წ. პირველ საუკუნეებშიც გადმოვიდა. ეს ᲡᲐრემოება აღნიშნულ პერიოდში მატერ. ულტ. განუწყვეტელ განვითარებას ადას-ᲢᲣრებს.

ლიტ.: ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., ბრინჯაოს Ატევრები და მახვილები სამთავროს უძვე-ᲦᲔს სამარხებში, თბ., 1974; ფ ი ც ხ ე ლ ა უ-Რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა Სტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. IV—VII სს.), თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, იორ-ᲚᲐᲖᲜის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომ-ᲗᲐ უძველესი კულტურა, თბ., 1965; ჯ ა ფ ა-Რ ი ძ ე ო., არქეოლოგიური გათხრები თრია-ᲚᲔთში, თბ., 1969. *კ. ფიცხელაური.*

ᲘᲝᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲠᲘᲚᲔᲡ ᲔᲚᲩᲝᲑᲐ რუ-Ეთში 1592—93, კახეთის სამეფოს Ელჩობა რუსეთში. კახეთიდან რუსეთში Აბრუნებულ პლეშჩეევის ელჩობას თან ᲐᲬყვნენ ქართველი ელჩები თავადი იო-ᲠᲐმი და კირილე არქიმანდრიტი. ქართვ. Ელჩები რუს. ხელმწიფეს მფარველობის Ირობის შესრულებას სთხოვდნენ. კერ-Ოდ, ისინი ითხოვდნენ: საშამხლო-დაღეს-ᲜᲘს დაპყრობას, თერგიდან კახეთამდე ᲖᲘს გაწმენდას და ზარბაზნის ოსტატე-ᲘᲡა და არტილერისტების გაგზავნას კა-Ეთში. ქართვ. ელჩების ენერგიული მეცა-ᲦᲘნეობის შედეგად ბორის გოდუნოვმა Აშამხლოს წინააღმდეგ მართლაც გაგზავ-Ა ჯარი.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქარ-Თველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 967. *ვ. მაჭარაძე.*

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲗᲔᲤᲔ, ბორცვი, რ-ზედაც ალ-ᲮᲩნდა უძველესი ნამოსახლარის ნაშთები. დებარეობს ჩრდ. მესოპოტამიაში, ქ. ქირ-Უქიდან (ახლანდ. ერაყის სამხრ.-დას-ით) 3 *კმ*-ზე. გათხრების შედეგად გამოვლინ-და ენეოლითის შემცველი ფენები (ძვ. წ. IV ათასწლ. II ნახ.); აგრეთვე შუმერულ-აქადური ნამოსახლარი (ქ. გასური), სადაც იპოვეს ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. წარწერებიანი ფირფიტები. მათში ლაპა-რაკია ვაჭრობაზე, მოცემულია ხელოსნე-ბის ნაწარმის აღწერილობა და სხვ. შესწავ-ლილია ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ. ხურიტუ-ლი ქ. ნუზის (ნუზუ) შიდაციხე, სასახლე და ტაძარი. ქალაქი გამაგრებული იყო გა-ლავნით, რ-ის გარეთ საცხოვრ. სახლები იდგა. მოსახლეობა მისდევდა მიწათმოქმე-დებას და მეცხოველეობას. აღმოჩნდა სპი-ლენძის იარაღი და რამდენიმე ათასი თი-ხის Წირფიტა ოფიც. და კერძო არქივები-დან. ძვ. წ. II ათასწლეულში ქალაქი დაან-გრიეს ასურელებმა.

ლიტ.: Яковская Н. Б., Хурритская Арраппха, «Вестник древней истории», 1957, № 1.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔ, მდინარე დას. აზიაში, უმეტეს-Წილად იორდანიაში. სიგრძე 252 *კმ*. სა-თავე აქვს ჯებელ-ელ-შეიხის (ჰერმონის) ქედზე. მიედინება გჰორის მერიდიანულ ტექტონ. ღრმულში. გაივლის ხულისა და ტიბერიადის ტბებს და უერთდება მკვდარ ზღვას. ზემოთ ხეობა ვიწრო და ჭორომი-ანია, ქვემოთ — ფართოვდება. საზრდოობს გრუნტისა და ტბების წყლით. წყლის ხარ-ჯი ზაფხულში 50 *მ³/წმ*. Ი-ს იყენებენ სარ-წყავად.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ, ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲰᲐᲨᲘ-ᲛᲘᲓᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ (ალ-მამლაქა ალ-Ურდუნია ალ-ᲰᲐშიმია), სახელმწიფო ᲐᲮᲚᲝ აღმოსავლეთში. ფართ. 95,4 ათ. *კმ²* (აქედან 6,6 ათ. *კმ²* მდ. იორდანეს დას-ით, 1967 ივნ-იდან ოკუპირებულია ისრაელის მიერ). მოსახლ. 2,9 მლნ. კაცი (1979, შე-ᲤასებᲐ), აქედან 0,76 მლნ. ცხოვრობს ის-რაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, 0,34 მლნ.—საზღვარგარეთ. დედაქალაქი—Ამანი. ოფიც. ენა—არაბული. ეროვნ. დღე-Სასწაულებია: 25 მაისი — დამოუკიდებლო-ბის დღე (1946), 14 ნოემბ.—მეფე Ჰუსაინის დაბადების დღე (1935). ოფიც. *კალენდა-რი* — მთვარის *Ჰიჯრა,* იყენებენ გრიგორი-ანულსაც. ფულის ერთეულია იორდანიის დინარი. 1 დინარი=2,955 დოლარს(1977). ადმინისტრაციულად Ი. იყოფა 8 მუᲰაფა-ზად (საგუბერნატორად).

Ი. კონსტ. მონარქიაა, მოქმედებს 1952 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუ-ფლება ეკუთვნის მეფეს და ეროვნ. კრებას (პარლამენტს), რ-იც შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. სახელმწი-ფოს მეთაურია მეფე. მასვე ეკუთვნის აღ-მასრ. ხელისუფლებაც, რ-საც მთავრობის საშუალებით ახორციელებს. სახელმწ. გერ-ბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩა-Ნართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ. Ი-ის დიდი ნაწილი 500—1500 *მ* სიმაღლის პლატოა. უმაღლესი წერტი-ᲚᲘა რამის მთა (1764 *მ*). დას. ნაწილში არის მერიდიანული ღრმა ტექტონ. ღრმუ-ᲚᲘ გჰორი და მისი გაგრძელება უადი-ელ-Არაბა. გჰორის ღრმული უჭირავს იორ-დანეს ველს და მკვდარ ზღვას (წყლის დო-ᲜᲘს ნიშნულია —395 *მ*). ღრმულის ორივე მხარეს აღმართულია სირია-პალესტინის მთები. სასარგებლო წიაღისეულიდან მოი-Პოვება ფოსფორიტები, კალიუმის მარი-ᲚᲔბი (მკვდარ ზღვაში), სპილენძის მადა-ᲜᲘ. ᲰᲐვა სუბტროპიკულია, მშრალი. იანვ-ᲡᲐმ. ტემპ-რა 8—14°C, ივლისისა 24—30°C, გჰორის ღრმულში და Ი-ის სამხრ. ნაწილ-ᲨᲘ ᲰᲐერის ტემპ-რა ზოგჯერ 50°C აღწევს. ნალექები მთაში დას-ით 500—700 *მმ*-მდეა წელიწადში, აღმ-ით და გჰორის ღრმულ-ᲨᲘ — ზოგან 100 *მმ*-ზე ნაკლები. მუდმივი მდინარე ცოტაა, ხშირია უადები, სეზონუ-რი ნაკადები. დას-ით ხარობს ხმელთაშუა ზღვის ტიპის მცენარეულობა, აღმ-ით ნა-Ხევარუდაბნო და უდაბნოა. ოაზისებში იზრდება ფინიკის პალმა. ცხოველთა სამ-ყაროდან დამახასიათებელია ქურციკი, აფთარი, უდაბნოს მელა, ბევრია ფრინველი და ქვეწარმავალი.

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ. Ი-ში უმთავრესად ცხოვ-რობენ არაბები. არიან აგრეთვე ჩერქეზე-ᲑᲘ, სომხები, ქურთები, ბერძნები და თურ-Ქმენები. მოსახლ. 93% მუსლიმან-სუნიტია. არიან ქრისტიანები (ძირითადად ქალა-Ქებში). მოსახლ. ნაწილი ბინადარ ცხოვ-რებას ეწევა, ნაწილი ნახევრად მომთაბარე ან მომთაბარეა. ეკონომიკურად აქტ. მო-Სახლ. დაახლ. 60% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. უმთავრესად მდ. იორდანეს ველზეა თავმოყრილი. ქვეყნის სამხრ. და აღმ. რ-ნები ნაკლებდასახლებუ-ᲚᲘა (1 კაცზე ნაკლები 1 *კმ²*-ზე). დიდი ქ-ებია: ამანი (850 ათ. მცხ., 1979), ელ-Ზარკა, იერუსალიმი (აღმ. ნაწილი), ირ-Ბიდი, ნაბლუსი, ელ-ხალილი (Ჰებრონი).

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘ. Ი-ის თანამედ-როვე ტერიტ. ძველად დასახლებული იყო სემიტური ტომებით—ქანაანელებით. ძვ. წ. III — II ათასწლეულებში Ი-ს თავს ესხმო-Დნენ ფინიკიელები, ხეთები და სხვ. ხალ-Ხები. ძვ. წ. I ათასწლეულში ამ ტერიტ. ნა-Წილი შედიოდა ისრაელისა და იუდეველთა სამეფოების შემადგენლობაში. ძვ. წ. III ს. დასასრ.—II ს. დასაწყ. არაბეთის ნ.-კ-იდან გამოსულმა არაბულმა ტომებმა აქ შექმნეს *ნაბატეველთა სახელმწიფო,* რ-იც ახ. წ. II ს. დასაწყისში დაიპყრო რომმა, ხოლო IV ს-ში Ი-ის ტერიტ. შევიდა ბიზანტ. იმპერ-Რიაში.

VII ს. 30-იან წლებში Ი. დაიპყრეს არა-Ბებმა და შევიდა არაბთა სახალიფოს შემა-დგენლობაში. გავრცელდა ისლამი და არა-Ბული ენა. XI—XV სს-ში Ი-ში ბატონობ-Დნენ თურქ-სელჩუკები, ჯვაროსნები და Ეგვიპტის მამლუქები. XVI ს. დასაწყი-სიდან 1918-მდე Ი. შედიოდა ოსმ. იმპერი-Აში. 1918 Ი. დაიკავეს ინგლისელებმა და Აჯანყებული არაბების სამხ. შენაერთებმა. 1920 აპრ. სან-რემოს კონფერენციაზე ინგ-Ლისმა მიიღო პალესტინის (რ-ის შემადგენ-Ლობაშიც Ი. შედიოდა) მანდატი, 1921 მა-რტში მას ცალკე სამანდატო ტერიტორიად გამოეყო ტრანსიორდანიის საამირო, რ-საც სათავეში ჩაუდგა ამირა აბდ ალ-ლაჰი (ᲰᲐ-შიმიდთა საგვარეულო). მანდატის ძალით საამიროში ინგლისს მიენიჭა მთელი სა-კანონმდებლო და აღმასრ. ძალაუფლება, სასამართლო სისტემის კონტროლის, საკუ-თარი ჯარის ნაწილების Ჰოლისა და სხვ. უფლებები. 1923 მაისში გამოცხადდა ტრან-სიორდანიის საამიროს დამოუკიდებლობა. 1925 მას შეუერთდა მაანისა და აკაბის რ-ნები. 1928 თებ. ინგლისმა ტრანსიორ-დანიას თავს მოახვია კაბალური ხელშეკ-რულება, რ-იც კიდევ უფრო განამტკიცებ-და ინგლ. კოლონ. ბატონობას ამ ქვეყნებ-ში. II მსოფლიო ომის პერიოდში ტრანს-იორდანიის საამიროს ტერიტ. ინგლ. ერთ-Აერთი სამხ. პლაცდარმი იყო ახლო აღმო-სავლეთში.

1946 წ. 22 მარტს დაიდო ინგლის-ტრანს-იორდანიის ახ. ხელშეკრულება. მის საფუ-ძველზე 1946 წ. 25 მაისს ტრანსიორდანია გამოცხადდა დამოუკიდებელ სამეფოდ, ამირა აბდ ალ-ლაჰი—მეფედ. ქვეყანას ეწო-და იორდანიის ᲰᲐშიმიდთა სამეფო. 1955 Ი. მიიღეს გაეროში. მიუხედავად დამოუ-კიდებლობის მოპოვებისა, Ი-ში მაინც დარ-Ჩნენ ინგლ. ჯარები.

1948 წ. 15 მარტს ინგლისსა და Ი-ს შო-რის დაიდო ახ. არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. 1948—49 Ი. სხვა 6 არა-Ბულ სახელმწიფოსთან ერთად მონაწილე-ობდა *პალესტინის ომში* ისრაელის წინა-აღმდეგ. არაბები დამარცხდნენ, მაგრამ Ი-მ შეძლო დაეკავებინა პალესტინის ცენტრ. რ-ნები (მდ. იორდანეს დას. ნაპირი, ქ-ები: ნაბლუსი, ბეთლემი და იერუსალიმის აღმ. ნაწილი). ეს ტერიტ. 1950 აპრ. ოფიცია-Ლურად შევიდა მის შემადგენლობაში. პა-Ლესტინის ომმა დიდი გავლენა იქონია Ი-ის ეკონომიკაზე. ისრაელის მიერ ოკუპირე-Ბული პალესტინის რ-ნებიდან Ი-ში გადმო-

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲠᲑᲘ.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ. მდ. ელ-მუჯიბ-ის ხეობა.

ᲡᲐᲫᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ. ᲙᲚᲓᲘᲡ ᲐᲯᲚᲓᲐ ᲔᲚ-ᲮᲐᲜᲗ. ᲞᲔᲢᲠᲐ. ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ. ᲤᲐᲡᲐᲓᲘ.

ვიდა 500 ათ. ლტოლვილი, რის შედეგადაც სოფ. მეურნეობასა და მრეწველობაში გაჩნდა სიძნელეები. გამლიერდა აშშ-ის იმპერიალიზმის გავლენა. 1951 თებ. ხელი მოაწერეს O-თვის ამერიკის დახმარების შეთანხმებას, რ-იც 1957 შეიცვალა შეთანხმებით აშშ-ის მიერ O-თვის ეკონ. და ტექ. დახმარების გაწევის შესახებ.

1951 ტერორისტული ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა მოკლა მეფე აბდ ალლაჰი. ტახტზე ავიდა მისი ძე ტალალი, რ-იც 1952 აგვ. შეცვალა მისმა ვაჟმა ჰუსაინმა. 50-იანი წწ. დასაწყისიდან O-ში თანდათან გამოცოცხლდა პოლიტ. ცხოვრება. 1952 იანვ. ახ. კონსტიტუციამ დააწესა მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი პარლამენტის წინაშე. 1954 O-ის კომპარტიის (დაარსდა 1943) ინიციატივით შეიქმნა პატრ. ეროვნ. ფრონტი, რ-იც აერთიანებდა კომპარტიას, ეროვნ.-სოციალ. პარტიას (დაარსდა 1954), *ბაასს* (დაარსდა 1952) და სხვ. ორგანიზაციებს. 1956 პარლამენტის არჩევნებში პირველად გაიმარჯვა პატრ. ძალების ბლოკმა. ორი ადგილი პარლამენტში მიიღო O-ის კომპარტიამ. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ეროვნ.-სოციალ. პარტიის ლიდერი ს. ნაბულსი. 1957 იანვ. კაიროში ხელი მოაწერეს არაბთა სოლიდარობის ხელშეკრულებას, რ-იც ითვალისწინებდა O-თვის ეგვიპტის, სირიისა და საუდის არაბეთის მიერ ყოველწლიურ დახმარებას. 1957 თებ. დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა გაეუქმებინა ინგლის-იორდანიის 1948 ხელშეკრულება და დაიწყო თავისი ჯარების გაყვანა ქვეყნიდან (დასრულდა 1958 ნოემბ.).

1957 აპრ. რეაქციულმა ძალებმა ნაბულსის მთავრობა გადააყენეს. O-ში შემოიღეს სამხ. მდგომარეობა, დააპატიმრეს ბევრი მინისტრი და დეპუტატი, აიკრძალა პოლიტ. პარტიების, მ. შ. O-ის კომპარტიის მოღვაწეობა (1967-იდან ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაშია). 60-იანი წლებიდან O-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მოხდა პროგრ. ხასიათის ცვლილებები. 1963 წ. 21 აგვ. დამყარდა დიპლ. ურთიერთობა სსრკ-თან. 1965 აპრ. გამოვიდა კანონი პოლიტპატიმრებისა და პოლიტემიგრანტების ამნისტიის შესახებ. იმავე წელს შრომის კანონით რამდენადმე გაფართოვდა მუშათა უფლებები.

1967 ივნ. არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის (იხ. *ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ 1967*) შედეგად ისრაელის ჯარებმა დაიკავეს მდ. იორდანეს დას. ნაპირი (ეკონომიკურად O-ის ყველაზე განვითარებული ნაწილი). მდ. იორდანეს აღმ. ნაპირზე 300 ათ. ახ. ლტოლვილი გადავიდა. 60—70-იან წწ. მიჯნაზე O-ის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის (პგო) საბრძოლო რაზმები. იმპერიალ. და ისრაელის აგენტურის ხრიკების შედეგად 1970 წ. II ნახევარში არაერთხელ გამწვავდა O-ის შინაპოლიტ. ვითარება, რაც შემდგომ გადაიზარდა პგო-ის რაზმებსა და O-ის არმიას შორის შეიარაღებულ შეტაკებებში. 1971 ივლ. O-ის არმიამ ლიკვიდაცია უყო პალესტინელთა სამხ. ბაზებს და პგო-ის რაზმები სხვა არაბ. ქვეყნებში გადავიდნენ. ამან განაპირობა O-ის იზოლაცია არაბ. სამყაროში. 1972 მარტში მეფე ჰუსაინმა წამოაყენა „გაერთიანებული არაბული სამეფოს" შექმნის გეგმა, მასში შევიდოდა O-ის რ-ნი (მდ. იორდანეს აღმ. ნაპირი) და პალესტინის რ-ნი (მდ. იორდანეს დას. ნაპირი და იერუსალიმის აღმ. ნაწილი), მაგრამ ბევრმა არაბ. სახელმწიფომ დაგმო ეს გეგმა, როგორც ახლოაღმოსავლური კრიზისის სამართლიანი მოწესრიგების დაბრკოლების ცდა.

1972 ივნ. ამანში გაიხსნა საბჭ. კულტურის ცენტრი. 1973 მეფე ჰუსაინმა მიიღო დიდი დახმარება აშშ-ისაგან ქვეყნის ეკონ. განვითარებისა და არმიის მოდერნიზაციის მიზნით. O-ში შემოიღეს სავალდებულო სამხ. სამსახური. 1974 ოქტ. რაბატში არაბულ სახელმწ. მეთაურების თათბირზე ჰუსაინმა ცნო პგო პალესტინელი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლად, რის შედეგადაც გაუმჯობესდა O-ის ურთიერთობები სირიასთან და სხვა არაბ. ქვეყნებთან. O-მ არ სცნო კემპ-დეივიდში (აშშ) ეგვიპტე-ისრაელის სეპარატისტული შეთანხმებები (1977).

ეკონომიკა. O. სუსტად განვითარებული აგრ. ქვეყანაა. მრეწვ. განვითარება დაიწყო მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ. ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა ისრაელის აგრესიამ. ოკუპირებული რ-ნების წილი 1966/67 შეადგენდა ქვეყნის მთლიანი ეროვნ. პროდუქტის დაახლ. 38%-ს. ამ რ-ნებში მოჰყავდათ ბოსტნეულის დაახლ. 65%, ხილის 60%-ზე მეტი, ზეთისხილის 80%, მარცვლეულის დაახლ. 30%.

ეკონ. მთავარი დარგია სოფ. მეურნეობა. დიდი და საშ. მემამულური მეურნეობები შეადგენს მთელ მეურნეობათა დაახლ. 3%-ს, მაგრამ მათ ხელშია მთელი დამუშავებული მიწის თითქმის ნახევარი. 1960-იან წლებში სოფლად შეიქმნა სას.-სამ. კოოპერატივები, რ-ებიც თავის წევრებს უწევენ ფინანს., ტექ. და აგრონ. დახმარებას. მიწათმოქმედების მთავარი რ-ნია იორდანეს ველი. მოჰყავთ (ათ. ტ, 1976): ხორბალი — 66,6, ქერი — 13,2, პარკოსნები — 10,4, პომიდორი — 87,9, ზეთისხილი — 22,5, ყურძენი — 13,7, ციტრუსები — 16,2. 1975 O-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 41,2, ცხვარი და თხა — 1253,4, აქლემი — 18,2.

მრეწველობა სუსტად არის განვითარებული. მთავარია სამთომოპოვებითი (უმთავრესად ფოსფორიტების), კვების (ზეთსახდელი, სპირტსახდელი, მაკარონის საწარმოები) და საშენ მასალათა (ცემენტის წარმოება, მარმარილოს მოპოვება და გადამუშავება) მრეწველობა. 1976 გამოიმუშავეს 279,1 მლნ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია, აწარმოეს 1701,8 ათ. ტ ფოსფორიტები, 586,4 ათ. ტ ცემენტი, 1145,5 ათ. ტ ნავთობპროდუქტები და სხვ.; სამრეწვ. საწარმოთა დაახლ. 70% თავმოყრილია ქ. ამანსა და მის გარეუბნებში.

რკინიგზის სიგრძეა 478 *კმ*, საავტ. გზებისა — 8,6 ათ. *კმ*, მ. შ. 4,2 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია (1977). საავტ. ტრანსპორტზე მოდის ტვირთის შიგა გადაზიდვების 85%-ზე მეტი და საგარეო-სავაჭრო გადაზიდვების დაახლ. 35%. ერთადერთი საზღვაო ნავსადგურია აკაბა (ტვირთბრუნვა 3 მლნ. ტ, 1976). O-ს ავიამიმოსვლა აქვს არაბ. ქვეყნებთან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და სხვა სახელმწიფოებთან. O-ის ტერიტორიაზე გადის ამერ. ნავთობსადენი საუდის არაბეთიდან.

1976 O-ის ექსპორტმა შეადგინა 49,6 მლნ. დინარი, იმპორტმა — 339,5 მლნ, გააქვთ სოფ. მეურნ. პროდუქცია (ბოსტნეული, ციტრუსები, ზეთისხილი, მარცვლეული), ფოსფორიტები, ცემენტი და სხვ. შეაქვთ სურსათი, მანქანა-მოწყობილობანი, ნედლეული და სხვ. O-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ექსპორტში—საუდის არაბეთი, სირია, ქუვეითი, ერაყი; იმპორტში — აფრ, საუდის არაბეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია.

განათლება. 1952 კანონით O-ში შემოღებულია უფასო სავალდებულო დაწყ. განათლება. საშ. განათლება ფასიანია. დაწყ. სკოლა 6-წლიანია, არასრული საშ. სკოლა 3-წლიანი, სრული საშ. სკოლაც — 3-წლიანი. ძირითადად ქალ-ვაჟთა სწავლება განცალკევებულია. 1975 დაწყ. სკოლებში სწავლობდა 320 ათ. მოსწავლე; არასრულ საშ. სკოლაში — 56 ათ. სრულ საშ. სკოლაში — 28 ათ. მოსწავლე. მუშაობს მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო 2-წლიანი კურსები, დაწყ. სკოლის ბაზაზე—3-წლიანი პროფსკოლები. 1975 იყო 18 პროფტექ. სკოლა (2,5 ათ. მოსწ.), 4 სასასამ. სკოლა (350-ზე მეტი მოსწ.). საშ. სკოლის ბაზაზე მუშაობს 7 პედ. კოლეჯი (5 სახელმწ. და 2 იუნესკოს ხაზით, სადაც 1975 სწავლობდა 2 ათ-მდე მოსწ.) და 2-წლიანი სას.-სამ. კოლეჯი.

პირველი უმაღლესი სასწავლებელი-


ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ
ᲡᲘᲠᲘᲐ
ᲡᲐᲣᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘ
ᲘᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ
ᲐᲛᲐᲜᲘ
ᲔᲚ-ᲯᲘᲖᲐ
ᲔᲚ-ᲥᲐᲠᲐᲙᲘ
ᲔᲚ-ᲛᲐᲜᲖᲘᲚᲘ
ᲔᲚ-ᲠᲘᲡᲐᲜᲘ
ᲔᲚ-ᲠᲐᲛᲚᲐ
ᲔᲚ-ᲚᲘᲓᲘᲐ
ᲔᲚ-ᲐᲙᲐᲑᲐ
ᲔᲚ-ᲙᲣᲕᲔᲘᲗᲘ
ᲔᲚ-ᲛᲣᲯᲘᲑᲘ
ᲔᲚ-ᲐᲠᲘᲰᲐ
ᲔᲚ-ᲠᲐᲤᲐᲰ
ᲔᲚ-ᲛᲐᲓᲑᲐ
ᲔᲚ-ᲥᲐᲠᲙᲐᲠᲐ
ᲔᲚ-ᲞᲐᲓᲘᲡᲘ
ᲔᲚ-ᲠᲘᲡᲐᲜᲘ
ᲔᲚ-ᲠᲐᲛᲚᲐ
ᲔᲚ-ᲚᲘᲓᲘᲐ
ᲔᲚ-ᲐᲙᲐᲑᲐ
ᲙᲣᲕᲔᲘᲗᲘ
ᲛᲣᲯᲘᲑᲘ
ᲐᲠᲘᲰᲐ
ᲠᲐᲤᲐᲰ
ᲛᲐᲓᲑᲐ
ᲥᲐᲠᲙᲐᲠᲐ
ᲞᲐᲓᲘᲡᲘ
ᲠᲘᲡᲐᲜᲘ
ᲠᲐᲛᲚᲐ
ᲚᲘᲓᲘᲐ

ულ-ტი დაარსდა 1962 ამანში (1975 სწავ-ლობდა 2,5 ათ-ზე მეტი სტუდენტი). 1975 საზღვარგარეთ სწავლობდა 1000-მდე იორ-დანიელი სტუდენტი. ამანში არის საჯარო ბ-კა (30 ათ. ტ.), უნ-ტის ბ-კა (21 ათ. ტ.), ი-ის არქეოლ. მუზეუმი (1923) და ის-ლამის მუზეუმი. გამოდის რამდენიმე და-ახელების გაზეთი და ჟურნალი. რადიო-ბაუწყებლობა სახელმწიფოა, არსებობს 1959-იდან. ტელეგადაცემები მიმდინარე-ობს 1968-იდან არაბ. და ინგლ. ენებზე.

ლიტერატურა. იორდანიის ლიტ-რა XIX ს-მდე საერთო არაბ. ლიტ-რის ერთ-ერთი ნაკადი იყო. XIX ს-ში მოღვაწე-ობდნენ განმანათლებლები იუსეფ ზეი ალ-დინ ალ-ხალიდი, ხალილ ალ-საქაქინი და სხვ. XX ს. I ნახევარში გაბატონებული იყო რომანტიზმი და სანტიმენტალიზმი (იბრაჰიმ ალ-დაბაღი, იბრაჰიმ თუკანი, საიდ ალ-ქარამი და სხვ.). თანდათან მტკი-ცდებოდა რეალისტური ტენდენციებიც მუსტაფა ვაჰბა ალ-თილი, ისქანდერ ალ-ური ალ-ბაიტაჯალი, მუჰამად ალ-შარი-ი, ჰუსნი ფარიზი, მუაიად იბრაჰიმ ალ-ირანი). მშრომელთა მძიმე მდგომარეო-ით გამოწვეული სანტიმენტალურ-რიტო-ული ჩივილი შეცვალა პატრ., ფეოდ. მო-არქიის რეჟიმის მამხილებელმა მოტივებ-ა (მუაიან ბასისო, ნაზჰათ სალემი, მაჰ-უდ დერვიში, ჰარუნ ჰაშიმ რაშიდი). გან-ითარდა ლირიკა [პოეტები ბურჰან ალ-დინ ალ-აბუში, აბდ ალ-ქარიმ ალ-ქარმი (აბუ სალმა), მაჰმუდ ალ-ჰუთა], ნოველის ანრი (მაჰმუდ სეიფ ალ-დინ ალ-ირანი, უჰამად ადიბ ალ-ამრი): ბიოგრ. რომანე-ი დაწერა ნაჯათი სიდკიმ, მანვე გააცნო ანამემამულეებს პუშკინის, ჩეხოვის, გორ-ის ცხოვრება და შემოქმედება.

ხელოვნება. ი-ის ტერიტორიაზე შემორ-ჩენილია გვიანდ. პალეოლითის (გამოსა-ულებანი კლდეზე), ნეოლითის (იერიქო-ის დასახლ. უძველესი ფენა), ენეოლი-ისა და ბრინჯაოს (მეგალითური აკლდა-ები, თიხატკეპნილ ნაგებობათა ნაშთე-ი, გლიპტიკა) ხანების, ძვ. წ. I ათასწლ. ნახ. (საბეჭდავები, ქურუმის ქვის სტა-ეა) ძეგლები. დიდ ინტერესს იწვევს ნაბა-ველთა (ძვ. წ. IV ს-იდან) კლდეში გა-ოკვეთილი დედაქალაქი პეტრა, აგრეთვე ერბათ-ტანურის, უმ-ელ-ჯამალისა და სხვ. ეგლები. შემორჩენილია რომისა (II—I სს.) და ბიზანტ. (IV ს. — VII ს. და-წყ.) დროინდელი ძეგლები (საკულტო ა საცხოვრ. შენობები, მოზაიკიანი იატაკე-ბ). ომაიანების პერიოდის (661—750) ნაბ. საკულტო ძეგლები — მეჩეთი კუბათ-ულ-სახრა იერუსალიმში, ციხე-დარბაზ-რე-ზიდენციები — მშათა, ხირბათ ალ-მაფჯარ-ი, კუსაირ-ამრა. XII ს-იდან შემორჩე-ულია ჯვაროსანთა ციხე-დარბაზები ულ-ქარაქში და ელ-შუბაქში; XIV ს-იდან

-ების ფორტი. შემდეგ საუკუნეებ-ი პლასტ. ხელოვნ. მნიშვნელოვანი ძეგ-ლები აღარ შექმნილა. თანამედროვე ი-ში ენდება უპირატესად 1—4-სართულიანი ცხოვრ. სახლები, აგრეთვე ადმ. შენობე-ი. ხალხ. ხელოვნებიდან აღსანიშნავია ოქრობა, ქარგვა, კერამიკა, ხის, სადა-ისა და ტყავის ნაკეთობები და სხვ.

ლიტ.: Кауфман S. A., Об архитектуре древнего арабского народа набатеев..., წგნ.: Вопросы всеобщей истории архитектуры, сб. 1, М., 1961; Новейшая история арабских стран, М., 1968, с. 134—8; Современная Иордания, М., 1964.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (ᲙᲞ; ჰიზბ ალ-შუიუი ალ-ურდუნი), დაარ-სდა 1943 წ. 25 ნოემბ. არალეგალურად 1951 სექტ-მდე ეწოდებოდა ეროვნ. გან-თავისუფლების ლიგა). 1951 მიიღეს პარ-ტიის პროგრამა, რ-იც მიზნად ისახავდა პერიალიზმისა და ფეოდალიზმის ბატო-ობის ლიკვიდაციას, იორდანიაში ეროვნ.-მოკრ. წყობილების დამყარებას. 1954 ბ-ის ინიციატივით (ამ დროისათვის უგალურად მოქმედებდა) ქვეყანაში შეი-ქმნა პატრ. და ანტიიმპერიალ. ძალების ეროვნ. ფრონტი. 1956 იკპ-მ პარლამენტ-ში მიიღო ორი ადგილი. 1957, რეაქციული გადატრიალების შემდეგ იკპ აიკრძალა და განიცადა სასტიკი რეპრესიები. 1967, ისრაელის აგრესიის შემდეგ, იორდანიის მთავრობამ გაათავისუფლა იორდანიის კო-მუნისტები, მაგრამ პარტია ნახევრად ლე-გალურად მოქმედებდა. 1967 აგვ. მიიღეს იკპ-ის საგანგებო პროგრამა, რ-მაც ძირი-თად ამოცანად წამოაყენა პატრ., ანტიიმპე-რიალ. ძალების მობილიზაცია ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში, ფართო ეროვნ. ფრონტის შექ-მნა. იკპ მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოწესრიგებას გაეროს გადაწყ-ვეტილების შესაბამისად. იკპ-ის დელეგა-ცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუ-შათა პარტიების წარმომადგენელთა თათ-ბირების მუშაობაში (1957, 1960 და 1969, მოსკოვი). იკპ ცკ-ის პირველი მდივა-ნია — ფაიკ ვარადი.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡᲘ (Jordanis, Jordanes), გუ-თების ისტორიკოსი (VI ს.), წარმოშობით *ოსტგუთი*, აღმ. რომის იმპერიის სამსახურ-ში მყოფი ალანთა სარდლის მდივანი. მი-სი მთავარი შრომა „გუთების წარმოშობა და საქმენი" (მოდის 551-მდე) წარმოად-გენს უმნიშვნელოვანეს წყაროს გუთების, ჩრდ. შავიზღვისპირეთის ხალხების და *ხალხთა დიდი გადასახლების* ეპოქის ის-ტორიისათვის; შეიცავს მოკლე, მაგრამ საყურადღებო ცნობებს ძვ. სლავებზე. ი. გამოხატავდა ბიზანტიასთან შეთანხმების მომხრე ოსტგუთ წარჩინებულთა განწყო-ბილებას.

თხზ.: О происхождении и деяниях гетов. Getica. Вступ. ст., пер. и коммент. Е. Ч. Скржинской, М., 1960 (ბიბლიოგრ.).

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ სოლომონ გიორგის ძე (24. X. 1898, თელავი, — 26. IX. 1953, თბილისი), ქართველი საბჭ. ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, მთარგმნელი, სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, 1919-იდან მუშაობდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. 1926 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (ენათმეცნ. განხრით). მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ენისა და ლიტ-რის ინ-ტში (1935—38), კითხულობ-და ლექციებს უნ-ტში, იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანი (1935—37), განაგებდა საქ. სსრ განსახკო-მის სამუზეუმო სექტორს. 1945 მიენიჭა ფილოლ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხა-რისხი ნაშრომისათვის „ვეფხისტყაოსნის ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი" (ცალკე წიგნად გამოვიდა 1964). მრავალი ნაშრომი უძღვნა ვეფხისტყაოსნის ხელნა-წერებსა და ტექსტის დადგენის საკითხებს. ი-ის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუს. პწკარედი (1933, გადამუშავებული სახით გამოქვეყნდა 1966) საფუძვლად და-ედო პოემის მხატვრულ თარგმანებს რუს. და უცხოურ ენებზე. ე. ორბელიანთან ერთად ფრანგულად თარგმნა ვეფხისტყაო-სანი (გამოქვეყნდა 1977). ალ. ბარამიძესთან ერთად მეცნიერულად გამოსცა დ. გურამი-შვილის „დავითიანი", რ-საც დაურთო ლექსიკონი (1931). გამოსცა აგრეთვე ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში" (1940) და სხვ. ნაყოფიერად იღვწოდა ლექ-სიკოლოგიის დარგში, მონაწილეობდა ქართ. სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუ-შავებაში. 1930—35 გამოსცა „რუსულ-ქარ-თული ლექსიკონის" ორტომეული (გ. ახ-ვლედიანთან ერთად), 1949 — ს.-ს. ორ-ბელიანის „ქართული ლექსიკონის" ერთ-ერთი ხელნაწერი. თარგმნიდა რუს. და ევრ. ენებიდან, აგრეთვე ქართულიდან რუს. ენაზე („ვისრამიანის" რუს. თარგმანი — 1949).

თხზ.: ნარკვევები ქართული ლიტერატუ-რის ისტორიიდან, თბ., 1953; ნარკვევები, თბ., 1964.

ბიბლ.: სოლომონ იორდანიშვილი. ლიტე-რატურის ბიბლიოგრ. საძიებელი, შემდგ. ეკ. იორდანიშვილი, თბ., 1974. *ს. ცაიშვილი.*

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲡᲘ (Jordaens) იაკობ (19. V. 1593, ანტვერპენი, — 18. X. 1678, იქვე), ფლა-მანდელი ფერმწერი. 1607-იდან სწავლობ-და ა. ვან ნორტის სახელოსნოში, თანამ-შრომლობდა პ. პ. რუბენსთან. მხატვრის ადრინდ. ნამუშევრები („ოჯახის პორტრე-ტი", დაახლ. 1615, ერმიტაჟი, ლენინგრ.; „მწყემსთა თაყვანისცემა", 1618, სტოკ-ჰოლმის ეროვნ. მუზეუმი) თავისი სა-ერთო ხასიათით (ფიგურათა პლებეური ხასიათი, საგნების ხაზგასმული მატერია-ლურობა, კონტრასტული ჩრდილ-ნათელი) *კარავაჯიზმს* ენათესავება. საუკეთესო ნამუშევრებში, რ-ებიც ი-მა 1620—30-იან წლებში შექმნა, გამოიკვეთა მისი რეალი-ზმის თავისებურებები: რელიგ. და მითოლ. თემების ჟანრული გადაწყვეტა, ყოფითი ჟანრის პირველ ადგილზე დაყენება, ენერ-გიული და მძლავრი ფერწერული მანერა და ჟღერადი, თბილი ტონების სიჭარბე („იუპიტერის აღზრდა", 1620, კასელის სურათების გალერეა; „ოჯახის პორტრე-ტი", დაახლ. 1622—24, პრადო, მადრიდი; „ნაყოფიერების ალეგორია", დაახლ. 1625-28, ძვ. ხელოვნ. მუზეუმი, ბრიუსელი). 1640-იან წლებში შექმნა ფიგურებით გა-დატვირთული პარადული კომპოზიციები, რ-ებშიც ყალბი პათოსი იგრძნობა.

იორდანია. ციხე-დარბაზი ელ-ქარაქში. კოშკებიანი გალავნის ფრაგმენტი. XII ს.

ი. იორდანსი. ორი ეტიუდი შიშველი ქალის ფიგურისა. 1640 — 45. ეროვნული გალერეა, ვა-შინგტონი.

ლიტ.: [Смольская Н.], Якоб Йорданс. [Альбом], М., 1959.

ᲘᲝᲠᲓᲐᲡᲐᲚᲐᲛᲘ (Paeonia), მრავალწლო-ვანი ბალახოვანი მცენარეების, იშვიათად ბუჩქების ან ბუჩქბალახების გვარი იორ-დასალმისებრთა ოჯახისა. აქვთ წითელი, ვარდისფერი, თეთრი ან იშვიათად მოყვი-თალო მარტოული დიდი ყვავილები, ფოთ-ლურა ნაყოფი. გვარში 40-მდე სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია აღმ. აზიაში, სამხრ. ევროპაში, იაპონიასა და ჩრდ. ამე-რიკაში. სსრკ-ში ამ გვარის 20 სახეობა იზ-რდება, მ. შ. კავკასიაში — 13, საქართვე-ლოში — 10, რ-თაგანაც 2 კავკასიის, 5 კი საქართველოს ენდემია; სახეობათა უმრავ-ლესობა მესამეული პერიოდის ფლორას ეკუთვნის. მრავალი მათგანი დღესაც ფარ-თოფოთლოვან რელიქტურ ტყეებში გვხვდე-ბა. მეტად ლამაზი დეკორ. მცენარეებია. მებადეობაში უამრავი ბუთხუზა (ვარა) ჯი-შია გამოყვანილი. ზოგ სახეობას ხალხ. მე-დიცინაში იყენებენ. *ლ. ხინთიბიძე.*

ველის იორდასალამი (Paeonia tenuifolia).

ᲘᲝᲠᲘ, მდინარე აღმ. საქართველოში. სათავე აქვს კავკასიონის სამხრ. კალთაზე,



იორდანია. ჭ. ამანის ნაწი-ლის ხედი.

მწვ. ბორბალოსთან. ზ. დ. 2600 *მ*. ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. სიგრძე 320 *კმ*, აუზის ფართ. 4650 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მიწისქვეშა წყალზე მოდის ჩამონადენის 38,7%, წვიმაზე — 33,3%, თოვლზე — 28,0%. წყალდიდობა იცის მარტ-ივლისში, წყალმოვარდნები — ზაფხულ-შემოდგომაზე, მდგრადი წყალმცირობა — ზამთარში. გაზაფხულზე მოდის წლ. ჩამონადენის 43%, ზაფხულში — 30%, შემოდგომაზე— 16%, ზამთარში — 11%. წლ. ჩამონადენი 341 მლნ. *მ*³. ი-ის შენაკადებია: მარცხ. — საგომა, გომბორი, ორვილი, ლაფიანხევი; მარჯვ. — ხაჩრულა, ქუსნო, აბეში, გორანა და სხვ. ქვემო დინებაში აქვს დროებითი შენაკადები.

ი-ზე აგებულია მარეგულირებელი *სიონის წყალსაცავი*. ი-ის წყლით შეიქმნა *თბილისის წყალსაცავი* („თბილისის ზღვა"). ი-ის წყლით ირწყვის 90 ათ. *ჰა*-ზე მეტი ფართობი ივრის ზეგაზზე. მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რ-თაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრ. არხები. *ი. აფხაზავა.*

ი ო რ ი, სოფელი დუშეთის რ-ნში (ჭონქაძის სოფსაბჭო), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1120 *მ*, დუშეთიდან 7 *კმ*. არაგვისპირის მევენახეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ყვავილში (5 *კმ*).

ი ო რ კ-ა ნ ტ ვ ე რ პ ე ნ ი ს წ ე ს ე ბ ი, საერთაშორისო სავაჭრო ზღვაოსნობაში საყოველთაოდ მიღებული წესების კრებული. აწესრიგებს საერთო *ავარიასთან* დაკავშირებულ ურთიერთობებს — საზღვ. გადაზიდვისას საერთო საფრთხით გამოწვეული ზარალის განაწილებას გემისა და ტვირთის მეპატრონეთა შორის. შეიმუშავა იორკის (დიდი ბრიტანეთი) 1864 საერთაშ. კონფერენციამ. არსებითად შეიცვალა ქ. ანტვერპენის კონფერენციაზე 1877. ყველაზე გავრცელებული რედაქცია მიიღეს 1950 საერთაშ. საზღვაო კომიტეტის კონფერენციაზე ამსტერდამში. ი.-ა. წ-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაზე. იგი ზოგიერთი დაზუსტებითა და ცვლილებებით აისახა სსრკ-ის *სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსში*.

ი ო რ კ ე ბ ი (Yorks), სამეფო დინასტია ინგლისში 1461 — 85, *პლანტაგენეტების* დინასტიის ერთ-ერთი შტო. ი-ის პირველი წარმომადგენელი იყო ედუარდ IV, რ-მაც *ვარდების ომის* დროს ტახტიდან გადმოაგდო პლანტაგენეტების ლანკასტერთა შტოს წარმომადგენელი ჰენრი VI. ი-ის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო *რიჩარდ III*, რ-ის ბოსუორთის ბრძოლაში (1485) დაღუპვის შემდეგ ინგლ. სამეფო ტახტი *ტიუდორების* ხელში გადავიდა

ი ო რ კ ი (York), კონცხი კეიპ-იორკის ნ.-კ-ზე, ავსტრალიის კონტინენტის უკიდურესი ჩრდ. წერტილი (ს. გ. 10°41′ და ა. გ. 142°32′).

ი ო რ კ ი (York), ქალაქი აშშ-ის აღმ. ნაწილში, პენსილვანიის შტატში. 48 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 345 ათ. (1975). მრავალდარგიანი მანქანათმშ. და ლითონდამუშავების (ტურბინების, კონდიციონერების, მაცივრების, სეიფების, სას.-სამ. იარაღის, საკისრების დამზადება) დიდი ცენტრი. პიანინოსა და როიალის წარმოება. თამბაქოსა და საფეიერო მრეწველობა. ი. დაარსდა 1735.

ი ო რ კ ი (York), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, იორკშირის (უესტ-რიდინგი) საგრაფოში. სამდ. ნავსადგური მდ. უზის ნაპირას. 102 ათ. მცხ. (1976). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. კვების (უმთავრესად შოკოლადის) მრეწვ., მინის წარმოება, პოლიგრ. საქმე. რკინიგზის სახელოსნოები. არქიტ. ძეგლები.

ი ო რ მ უ ლ ა ნ ლ ო, სოფელი საგარეჯოს რ-ნში, ივრის ზეგანზე, მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ი., თულარი, კაზლარი, ლამბალო, ქეშალო). ზ. დ. 460 *მ*, საგარეჯოდან 33 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. ლამბალოს მეთესლეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ი ო რ უ ბ ა ა, სამხრ. და სამხრ.-დას. ნიგერიაში (დაახლ. 10—12 მლნ. კაცი, 1972, შეფასება), დაპომეასა (200 ათ-ზე მეტი) და ტოგოში მცხოვრები ხალხი. ლაპარაკობენ იორუბა ენაზე, რ-იც რამდენიმე დიალექტისაგან შედგება. რელიგია — ღვთაებათა განვითარებულ პანთეონიან პოლითეიზმთან ერთად ისლამი და ქრისტიანობა. დას. აფრიკაში ევროპელთა გამოჩენამდე (XV ს.) ჰქონდათ სახელმწიფო (იხ. *იორუბა* ქალაქ-სახელმწიფოები). ი-მ შექმნა ბრინჯაოსა და ტერაკოტის შესანიშნავი სკულპტურები (აყვავების ხანა XII — XIV სს.), რ-იც შესაძლებელია უფრო ძვ. (ძვ. წ. I ათასწლ. ბოლო) ნოკის კულტურასაც უკავშირდებოდეს. ი-ის ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება. კაპიტალ. ურთიერთობანი გადახლართულია ადრინდ. ხანის სოც. სტრუქტურებთან.

ი ო რ უ ბ ა ა, იორუბა ხალხით დასახლებული ქალაქ-სახელმწიფოები დას. სუდანში. წარმოიშვა XII—XIV სს-ში. ყველაზე ცნობილია ი-ის ქ-ები იფე და ოიო. XV ს-იდან ოიომ დაიმორჩილა ი-ს ქალაქთა უმრავლესობა, ხოლო XVIII ს. II ნახევრიდან თავისი პოლიტ. გავლენა გაავრცელა დას-ით ოქროს ნაპირებამდე, აღმ-ით მდ. ნიგერამდე. ი-ში გაბატონებული იყო თემური ურთიერთობა, მკვეთრად იყო გამოხატული სოც. და ეკონ. უთანასწორობა რიგით მეთემესა და მმართველ ზედაფენას შორის. XIX ს. დასაწყისში ოიოს სახელმწიფო დაიშალა მრავალ წვრილ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოდ. XIX ს. შუა წლებიდან დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო ი-ს დაპყრობა. 1906 მიტაცებული ტერიტორიები შევიდა ბრიტ. კოლონიებისა და სამხრ. ნიგერიის პროტექტორატის შემადგენლობაში.

ი ო ს ე ბ ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი, ა მ ბ ა ა ლ ა ვ ე რ დ ე ლ ი, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამა. მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში *იოანე ზედაზნელთან* ერთად. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირას დააარსა ალავერდის მონასტერი (აუგია წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, დასაფლავებულია იქვე). მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კახეთის ამ მხარეში ქრისტიანობის განმტკიცებას. ი. ა. იხსენიება ასურელი მამების — დავით გარეჯელის, შიო მღვიმელის — „ცხოვრებათა" მეტაფრასულ რედაქციებში (XII ს.). XVIII ს-ში შეუდგენიათ ი. ა-ის სვინაქსარული „ცხოვრება".

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ზიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 3—4, თბ., 1971—66. *ბ. ლომინაძე.*

ი ო ს ე ბ ა რ ლ უ თ ი ნ ს კ ი , დ ო ლ გ ო რ უ კ ი [1743, სოფ. სანაჩინი, თბილისის მახლობლად, — 9 (21). III. 1801, თბილისი], სომეხი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, არქიეპისკოპოსი, სრულიად სომხ. კათალიკოსი 1800-იდან. 1783 შეადგინა პროექტი, რ-ის მიხედვითაც რუსეთს უნდა აღედგინა სომხ. დამოუკიდებელი სამეფო. რუსეთს უფლება ეძლეოდა მეფე დაენიშნა და ჯარი ჰყოლოდა სომხეთში. ი. ა. მჭიდროდ თანამშრომლობდა ერეკლე II-თან და აქტიურად მონაწილეობდა საქართველო-რუსეთთან შეერთებაში.

„ი ო ს ე ბ ა დ ა ზ ე ლ ი ნ ა" (სპარს. „იუსუფ ო ზელიხა"), იოსებ მშვენიერის ბიბლიური, შემდგომ კი ყურანის მე-12 სურაში გადმოცემული ლეგენდა, რ-იც საფუძვლად დაედო მრავალ აღმ. ლიტ. ვერსიას. ჩვენამდე მოღწეულთაგან ყველაზე ადრინდელია ფირდოუსის სახელით ცნობილი პოემა, რ-შიც წინა პლანზე იოსების თავგადასავალია წამოწეული. ვრცელი რომანული პოემა შექმნა ამ თემაზე *ჯამიმ*, აქ იოსებთან ერთად მთავარი მოქმედი პირია ზელიხა. ჯამის ვერსიის მაღალმხატვრულობა მრავალრიცხოვანი მიმბაძველების გაჩენის მიზეზი გახდა (ბადრი, სალემი, ნაზემი, ჰაზაყი და სხვ.). ცნობილია თურქ. (ალი, დურბექი, ჰამდი ჩელები), აზერბ., უზბ., არაბ. და ქურთ. როგორც პოეტური, ისე პროზაული რედაქციები. XVI—XVII სს. განეკუთვნება ორი ქართ. ვერსია—ე. წ. ზაალისეული და თეიმურაზისეული *„იოსებზილიხანიანი"*. აღმოსავლურ ვერსიებს უკავშირდება ნაზიმ ჰიქმეთის პიესა „იოსებ მშვენიერი" და, ნაწილობრივ, თ. მანის რომანი „იოსები და მმანი".

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., „იოსებზილიხანიანის" აღმოსავლური ვერსიები, კრ.: ჯამი, თბ., 1964. *ა. კვახარია.*

„ი ო ს ე ბ ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ა ნ ი ,, *„იოსებისა და ზელიხას"* ლეგენდის სპარსული ლიტერატურული ვერსიების ქართული რედაქციები. პირველი მათგანი, XVI ს. ქართ. მწერლობის ანონიმური ძეგლი, მომდინარეობს *ჯამის* მიმბაძველთა წრეში შემუშავებული ვერსიიდან. მთარგმნელი თავისუფლად ეკიდება დედანს, განიცდის ვეფხისტყაოსნის პოეტიკის გავლენას (ტექსტში ერთგან იხსენიება ზაალი, ამიტომ ამ ვერსიას პირობითად ზაალისეულსაც უწოდებენ). „ი-ის" მეორე ქართ. ვერსიის (1629) ავტორია *თეიმურაზ I*. თეიმურაზის თხზულების წყარო დაუდგენელია. კ. კეკელიძის აზრით, ეს არის „თავისებური კომბინაცია ბიბლიური ეპიზოდისა და მისთვის ცნობილი აღმოსავლური ვერსიებისა". „ი-ის" ქართ. ვერსიებს დიდი მნიშვნელობა აქვს აღმ. ვერსიების შესწავლისათვის.

გამოც.: ჯ ა კ ო ბ ი ა გ., იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და სახელების დართვით), ნაწ. 1, ტფ., 1927.

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., „იოსებზილიხანიანის" ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, ტ. 1, თბ., 1958. *ა. კვახარია.*

ი ო ს ე ბ თ ბ ი ლ ე ლ ი (გვარად საკაკეძე) (1620—1688), ქართველი საეკლესიო მოღვაწე, პოეტი; თბილ. მიტროპოლიტი. გორგი საკაკეძის ძმისწული. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზ. ცხოვრებაში, იბრძოდა ცენტრ. ხელისუფლების განსამტკიცებლად. დაიღუპა როგორც გიორგი XI-ის მომხრე განდგომილ არაგვის ერისთავთან ბრძოლაში. მის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართ პატრ. ეპოსის თვალსაჩინო ძეგლს — პოემა „დიდმოურავიანს" (1681—87), რ-იც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართვ. ხალხის ბრძოლის ამსახველი გმირული ეპოპეაა. ი. თ-მა ხოტბა შეასხა დიდ მოურავს გიორგი საკაკეძეს; ამავე დროს გამოკვეთა საზ. აზრი საქვეყნო გასაჭირზე. ერის ტკივილი და საწუხარი საზ. სამეჯვაროზე გამოიტანა. „დიდმოურავიანი" მნიშვნელოვანი ისტ. წყაროცაა. იგი პირველად პ. იოსელიანმა გამოსცა 1851. ი. თ-ს ეკუთვნის აგრეთვე სას. შინაარსი თხზულებები: „ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა", „წმინდანთა კრებათათვის", „ქება და წამება წმიდის მარინასი, თქმული შაირად"; აგრეთვე „აბანთქება". ი. თ. ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გამგრძელებელია (დაურთო ტ. სტროფი). მის სახელთანაა დაკავშირებული თბილ. სიონის ბ-კის დაარსება, რ-ც თვისაც ი. თ-ს მრავალი ხელნაწერი წიგნი შეუძენია.

თხზ.: დიდმოურავიანი, წგნ.: ჩვენი საუ[illegible] ჯეკ. [ტ.] 4, თბ., 1960.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958. ფ ი რ ცხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი რ., იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის" ხელნაწერული მემკვიდრეობისათვის, «მაცნე. ენისა და ლიტერ[illegible]

ᲣᲠᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲗᲐ, 1975, № 2; ᲪᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ., შთთა რუსთაველი — დავით გურამიშვი- ᲘᲡ, თბ., 1974. *რ. ფირცხალაიშვილი.*

ᲘᲝᲡᲔᲑᲘ, ბიბლიური პერსონაჟი, *იაკობი-ᲡᲐ* და *რაბილის* პირმშვენიერი და საყვა-ᲔᲚᲘ ძე. შურიანმა ძმებმა Ი. მონად მიᲰ-ᲘᲓᲔᲡ ვაჭრებს, რ-ებმაც იგი ეგვიპტეში ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. აქ Ი. ჯერ საპყრობილეში მოᲮᲕ-Ა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფარაონის ᲐᲠᲐᲠᲗᲖᲔ აღზევდა და მამა და ძმები ეგვიპ-ᲔᲗᲨᲘ მიიწვია (დაბადება, 37—50). Ი-ის ᲣᲙᲕᲔᲓᲘᲚᲘᲡ შემდეგ ებრაელები ეგვიპტე-ᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და ᲛᲝᲜᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ თავის დასაღწევად მოსეს ᲘᲜᲘᲐᲛᲔᲚᲚᲝᲚᲝᲑᲘᲗ ქანაანში დაბრუნდნენ. ᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ Ი-ᲖᲔ, რ-იც ბიბლ. პატრიარქების ᲘᲙᲚᲡ განეკუთვნება, გამოძახილია ებრა-ᲚᲗᲐ ისტორიაში მომხდარი მიგრაციე-ᲑᲘᲡᲐ. Ი-ის თქმულების ცალკეული სიუჟე-ᲑᲘ ᲫᲚᲐᲢᲕᲠᲣᲚ ლიტ-რაში დამუშავებუ-ᲚᲘ აქვთ ფირდოუსის, ჯამის, თ. მანს. ᲐᲠᲗᲗ. ლიტ-რაში აღსანიშნავია „იოსებ-ᲘᲚᲘᲮᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ“ ანონიმური ვერსია და ᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ I-ის ამავე სახელწ. პოემა.

ლიტ.: Bentzen A., Introduction ᲘᲡ the Old Testament, Cph., 1962.

Ბ. ᲨᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲘᲝᲡᲔᲑᲘ [გ. 13 (24). V. 1776], დას. სა-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კათალიკოს-პატრიარქი 1769—Მ, გელათის მიტროპოლიტი 1745—76, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ მეფის ალექსანდრე V-ის ძე, სო-ᲚᲝᲛᲝᲜ I-ის უფროსი ძმა. კათალიკოსად ᲐᲜᲘᲨᲜᲐ სოლომონ I-მა. იყო ცენტრ. ᲮᲔ-ᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ გაძლიერების მომხრე. 1760 ᲬᲚᲐᲗᲘᲡ ღვთისმშობლის ტაძარში ააშენა ᲓᲘᲓᲖᲔᲓᲔᲚᲗᲛᲗᲐᲕᲠᲝ ქვის ტაძტი, რ-ის ᲐᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘᲪ იხსენიება. გამოხატულია ᲡᲐᲛᲔᲕᲔ ტაძრის კედლებზე. დაეხმარა სო-ᲚᲝᲛᲝᲜ I-ს რაჭის ერისთავის როსტომის ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲝ განადგურებაში. 1771—73 Ი-ს ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ პარაკება ჰქონდა კაცია II დადიანთან ᲗᲐᲕᲘᲡ შესახებ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღ-ᲬᲘᲐ. Ი. იცავდა დას. საქართველოს საეკლ. ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ამიტომაც არ ცნობდა დადი-ᲗᲘᲡ მიერ ახალდადგენილ ოდიშის კათა-ᲚᲘᲙᲝᲡ-პატრიარქს. Ი-ს პოლიტ.-კონფესი-ᲝᲜᲐᲚᲣᲠ ნიადაგზე უკმაყოფილება ჰქონდა ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ მყოფ იტალ. მისიონერებთან.

ლიტ.: ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ Ბ., მასალები და-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ საქართველოს XVII—XVIII საუ-ᲣᲜᲔᲗᲐ ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მა-ᲡᲐᲚᲔᲑᲘ საქართველოსა და კავკასიის ისტორი-ᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ», 1954, ნაკვ. 31. *Ბ. ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ.*

ᲘᲝᲡᲔᲑᲘ (გვარად ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲨᲕᲘ-ᲚᲘ), აღმ. საქართველოს კათალიკოს-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ 1755—64, რუსთველი (რუსთა-ᲕᲘᲡ ეპისკოპოსი). კათალიკოსად დაადგი-ᲚᲘ 1755 საეკლ. კრებამ, რ-მაც გადააყე-ᲜᲐ ᲐᲜᲢᲝᲜ I. 1762 ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲔᲠᲔ-ᲥᲔ II-ის ინიციატივით მოწვეულ საეკლ. ᲠᲔᲑᲐᲡ, რ-მაც შეიმუშავა დადგენილება საე-ᲚᲡᲙᲝᲞᲝᲡᲗᲐᲨᲘ მღვდელმსახურების წესე-ᲑᲘᲡ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. 1764 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ანტონ I-ის კათალიკოსად აღდგე-ᲜᲘᲡ გამო Ი. გადააყენეს.

წყარო: დავით ბატონიშვილი, ᲐᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ. — ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ-ᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ, თ. ᲚᲝᲛᲝᲣᲠᲘᲡ მოც., თბ., 1941.

ლიტ.: ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ Ბ., მასალები სა-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XVII—XVIII საუკუნეთა ისტო-ᲠᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, «მასალები საქარ-ᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ და კავკასიის ისტორიისათვის», 51, ნაკვ. 29. *Ბ. ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ.*

ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ ᲕᲝᲚᲝᲙᲝᲚᲐᲛᲡᲘᲡᲐ, მდებარეობს ახლანდ. ვოლოკო-ᲐᲛᲡᲙᲘᲓᲐᲜ (მოსკ. ოლქი) ᲩᲠᲓ.-ᲐᲦᲛ. 17 -ᲖᲔ. დააარსა 1479 იოსებ ვოლოცკიმ. 71 ს-ში *იოსიფლიანთა* ცენტრი იყო. Ი. მ. ᲗᲐᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ როლს ასრულებდა პოლიტ. ᲓᲐ საეკლ. ცხოვრებაში, დასავრდენი იყო ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲭᲐᲢᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ და მწვალებლებთან ᲒᲐᲛᲘᲯᲐᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ, ი. ბოლოტნიკოვის აჯანყების ᲓᲠᲝᲡ ეხმარებოდა ვ. *შუისკის* მთავრობას. ᲡᲘ ძლიერება შეირყა პოლ. ინტერვენციᲘᲡ დროს (1610). კარვისებრკოშკებიანი 543—66, გადაკეთებულია 1676—88 ტ. ᲜᲐᲢᲘᲔᲕᲘᲡᲐ და სხვ. მიერ) ქვის კედლებით შემოზღუდულ სამონასტრო ანსამბლში შე-ᲓᲘᲡ: პეტრე-პავლეს ჭიშკრის ეკლესია (XVII ს. დასასრ.), სატრაპეზო უფლის გამოცხადების ეკლესიითურთ (XVII ს. დასასრ.) და „ნარიშკინის სტილის“ მიძი-ᲜᲔᲑᲘᲡ მონუმ. ტაძარი (1688—92). 9-იარუ-ᲡᲘᲐᲜᲘ სამრეკლო (1490, გადაკეთებულია 1670-იან წწ.). ოქტ. რევ. შემდეგ გადაკეთ-ᲓᲐ მუზეუმად, დაინგრა დიდი სამამულო ᲝᲛᲘᲡ (1941—45) დროს. მიმდინარეობს რესტავრაცია.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ (1676 — IX. 1750), ქართველი სასულიერო მოღვაწე, მესტამ-ᲑᲔ. წარმოშობით ქვაბულიძეების საგვარე-ᲣᲚᲝᲓᲐᲜ. თავდაპირველად შიომღვიმის მონასტერში იყო წინამძღვრად, 1696-იდან ᲯᲔᲠ სამების, ხოლო შემდეგ წილკნის ეპის-ᲙᲝᲠᲝᲡᲐᲓ. ვახტანგ VI-ის რუსეთში წასვ-ᲚᲘᲡ შემდეგ ისიც რუსეთს გაემგზავრა. ქართველმა ემიგრანტებმა Ი. ს. ვორონე-ᲟᲘᲡ მონასტერში მოაწვევეს. 1733 პეტერ-ᲑᲣᲠᲒᲨᲘ გადავიდა. 1734-იდან ნოვგოროდ-ᲘᲡ მიტროპოლიტის თანაშემწე და იურის მონასტრის წინამძღოლი იყო. რუსეთში ცხოვრების პერიოდში Ი. ს-მა ხელი მოᲗ-ᲙᲘᲓᲐ საგამომცემლო საქმეს; მონაწილეობ-ᲓᲐ წიგნების გადაწერაში. ქ. ეურამიშვილ-ᲗᲐᲜ ერთად პეტერბ. მეცნ. აკად. სტამბაში ᲩᲐᲛᲝᲐᲡᲮᲐ ქართ. შრიფტი და იქვე დაბეჭდა „რუსულ-ქართული ანბანი“. 1737 *ბაქარ-ᲗᲐᲜ* ერთად დააარსა სტამბა და დაიწყო ქართ. წიგნების ბეჭდვა-გამოცემა, მაგრამ 1743 ბიბლიის უნებართვოდ დაბეჭდვის გამო სტამბა დახურეს. 1750 ყიზლარში მიმავალი Ი. ს. გზაში გარდაიცვალა.

ლიტ.: კასრაძე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973; კეკელიძე კ., ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, [ტ.] 2, თბ., 1958; ᲣᲠᲓᲐᲜᲘᲐ თ., მთავარ-ეპის-ᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ, «ᲘᲕᲔᲠᲘᲐ», 1884, № 2, 3.

ო. კასრაძე.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲤᲚᲐᲕᲘᲣᲡᲘ (ლათ. Josephus Flavius) (37, იერუსალიმი, — 100 შემ-ᲓᲔᲒ, რომი), ძვ. ებრაელი ისტორიკოსი. ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲗ მაღალი სამღვდელოების ᲬᲠᲘᲓᲐᲜ. აქტიურად მონაწილეობდა იუდე-ᲘᲡ სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში. იუდე-ᲕᲔᲚᲗᲐ ომში (66—73) რომის წინააღმდეგ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ როგორც მხედართმთავარი, შემ-ᲓᲔᲒ რომაელების მხარეზე გადავიდა და ᲛᲛᲐᲠᲗᲗᲕᲔᲚᲘ დინასტიის — ფლავიუსების— პატივსაცემად ფლავიუსი დაირქვა. იერუ-ᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲘᲡᲐ და დანგრევის დროს, როგორც თარგიმანი, რომაელთა ᲑᲐᲜᲐᲪᲨᲘ იყო. შემდგომ რომში დასახლდა და რომის მოქალაქეობა მიიღო. აქვე დაᲬᲔᲠᲐ ისტ. თხზულებები: „იუდეველთა ᲝᲛᲘ“ (დაიწერა არამეულ ენაზე, შემდეგ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲐᲓ თარგმნეს), „იუდეის სიძველე-ᲜᲘ“ (მოიცავს პერიოდს „სამყაროს შექმნი-ᲓᲐᲜ“ იუდეველთა ომამდე), „იუდეის ᲮᲐᲚ-ᲮᲘᲡ ძველი წარმოშობის შესახებ. აპიონის ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ“ — პოლემიკა I ს. ეგვ. მწერალ აპიონთან ან „ცხოვრება“ (ავტო-ᲑᲘᲝᲒᲠ. ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ, რ-შიც თავის გამარ-ᲗᲚᲔᲑᲐᲡ ცდილობს). Ი. Ფ-ის თხზულებები ძვირფასი წყაროა ძვ. აღმ. და ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ისტორიის შესასწავლად. მათი ავტორი გვევლინება პრორომაული ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ მიმდევრად და იუდეველთა ᲐᲞᲝᲚᲝᲒᲔᲢᲐᲓ.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ავთანდილ პავლეს ძე [დ. 8 (21). XI. 1910, წყალტუბო], ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). სკკპ წევრი 1939-იდან. დაამთავრა თსუ (1935). 1937-იდან მუშაობდა ენიმკიში, ამავე პერიოდში კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. შემდეგ მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში, სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელ კომისიაში. 1961 — 65 ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ საქართვ. სახელმწ. მუზეუმის საბჭოთა პერიოდის განყ-ᲑᲐᲡ. 1965-იდან მუშაობს ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში უფ-ᲠᲝᲡ მეცნიერ მუშაკად და თსუ-ში. იკვლევს ძვ. კოლხეთის, XVII — XX სს. საქართვ. სოც.-პოლიტ. ისტორიის, რუსეთ-საქართვ. ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲝᲑᲘᲡ, საზ. აზრისა და ისტორიის ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ საკითხებს.

თხზ.: იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ან-ᲓᲔᲠᲫᲘ, თბ., 1950 (მასალები საქართველოსა ᲓᲐ კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28); ილია ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ საქართველოს ისტორიის საკი-ᲗᲮᲔᲑᲘ, თბ., 1951; ნარკვევები კოლხეთის ის-ᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ, თბ., 1973; რუსი და ქართველი ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ თანამგზობრობის ისტო-ᲠᲘᲘᲓᲐᲜ (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1955; საქართველო საბჭოთა კავშირის ᲓᲘᲓ სამამულო ომში (1941—1945), თბ., 1958; საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი, თბ., 1972; საქართველოს ის-ᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ XVI —XIX სს., თბ., 1979.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ გიორგი დავითის ძე (დ. 20. XII. 1917, თბილისი), ქართველი საბჭ. ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ, მედ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1951-იდან. 1941 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1941—43 იყო მოქმედ არმიაში. 1950-იდან მუშაობს საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ᲔᲥᲡᲞᲔᲠ. და კლინიკური ქირურგ. ინ-ტში (1974-იდან დირექტორი). Ი. შეისწავ-ᲚᲘᲡ საᲭᲛᲚᲘᲡ მომნელებელი ორგანოების, ᲒᲣᲚ-სისხლძარღვთა სისტემის, ავთვისე-ᲑᲘᲐᲜᲘ სიმსივნეების ქირურგ. მკურნალო-ᲑᲐᲡ, ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ და ქსოვილთა გადანერ-ᲒᲕᲘᲡ, სისხლის გადასხმის, გაუტკივარები-ᲡᲐ და სხვ. პრობლემებს. სისხლძარღვთა ᲥᲘᲠᲣᲠᲒ. შესახებ შრომათა ციკლისათვის 1975 მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ᲝᲠ-ᲓᲔᲜᲘᲗᲐ და მედლებით.

თხზ.: ღვიძლის ატროფიული ციროზი და ᲛᲘᲡᲘ ქირურგიული მკურნალობა, თბ., 1964; **Изолированная перфузия головного мозга и сердца в условиях умеренной гипотермии,** Тб., 1966. *გ. ციცქიშვილი.*

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ გიორგი ნიკოლოზის ძე (1847, წყალტუბო,—1919, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ), ქართ-ᲕᲔᲚᲘ საᲖᲝᲒᲐᲓᲝ მოღვაწე, პედაგოგი. და-ᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ მოსკ. სას. აკადემია. მუშაობდა თბილ. სემინარიაში. 1873 დაითხოვეს რო-ᲒᲝᲠᲪ „ᲐᲠᲐᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲐᲛᲘᲔᲓᲝ“ პირი. 1873—89 თბილ. სამასწავლებლო ინ-ტში მუშაობდა მასწავლებლად, შემდგომ — სათავადაზნაუ-ᲠᲝ სასწავლებელში და თბილ. I გიმნაზი-ᲐᲨᲘ, სიცოცხლის ბოლო წლებში კი — ᲮᲐ-ᲨᲣᲠᲘᲡ გიმნაზიაში.

პრესის ფურცლებზე Ი. გამოდიოდა „წყალტუბოელის“ ფსეudონიმით. რამდე-ᲜᲘᲛᲔ წელი იმუშავა „ქართველთა შორის ᲬᲔᲠᲐ-კითხვის გამავრცელებელი საზ-ᲑᲘᲡ“ გამგეობაში. საზ-ᲑᲘᲡ დავალებით ი. ᲭᲔᲛ-ᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ერთად პირადად ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑ-ᲓᲐ ნ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ნეშტის გადᲯᲘᲓᲐᲜ თბილისში გადმოსვენებას (1893 წ. 25 აპრ.). Ი. მოღვაწეობდა ქართ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ გადმოაკეთა ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 1, თბ., 1953.

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ დავით გიორგის ძე [17. VIII (30. VIII). 1894, სოფ. ქვემო ᲮᲕᲔᲓᲣᲠᲔᲗᲘ, ახლანდ. ქარელის რ-ნი, — 25. II. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ, მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1942). სკკპ წევრი 1940-იდან. 1917 დაამ-ᲗᲐᲕᲠᲐ პეტროგრ. სამხ.-სამედ. აკადემია. 1937—47 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის ᲢᲝ�პᲝ�გრაფიული ანატ. და ოპერაც. ქირურგ. კათედრას, 1947—68კი—ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ქირურგ. კათედრას. 1940—47 იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დირექტორი. Ი. სწავლობდა ასაკობრივი და ვარიაციული ანატ., ანაერობული ინფექციის, ნაწლავთა გაუვალობის, ასეპტიკისა და ანტისეპტი-ᲙᲘᲡ საკითხებს, ტრავმული ანევრიზმის ქი-ᲠᲣᲠᲒ. მკურნალობას და სხვ. დაჯილდოე-



მ. იპოლიტოვ-ივანოვი.

ეკუთვნის ოპერები: „რუთი“ (დაიდგა 1887, თბ.), „აზრა“ (დაიდგა 1890, თბ.), „ასია“ (დაიდგა 1900), „ღალატი“ (დაიდგა 1910, მოსკ., რამდენჯერმე დაიდგა თბილისშიც), „ოლე ხორლანდელი“ (დაიდგა 1916, მოსკ.), „უკანასკნელი ბარიკადა“ (შეიქმნა 1933); სიმფონია (შესრულდა 1908), რომანსები და სხვ. დაამთავრა მ. მუსორგსკის ოპერა „ქორწინება“. თავის შემოქმედებაში გამოიყენა ეროვნ. ხალხური მელოდიები, მათ შორის, ძვ. თბილისის სიმღერები. შექმნა სიუიტები „კავკასიური ესკიზები“ (1894) და „ივერია“(1895), პოემა „მწირი“ (1924) „საიუბილეო მარში“ სიმფ. ორკესტრისათვის (1931). ი.-ი. ავტორია ნაშრომებისა: „ქართული ხალხური სიმღერა და მისი სადღეისო მდგომარეობა“, „მოძღვრება აკორდებზე, მათი აგებულება და გადაწყვეტა“. კომენტარები საორკესტრო სიუიტაზე „კავკასიური ესკიზები“ და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

ლიტ.: Бугославский С., М. М. Ипполитов-Иванов, М., 1936; Подземская Л. П., М. М. Ипполитов-Иванов и грузинская музыкальная культура, [Тб., 1963]; Чемоданов С. М., М. М. Ипполитов-Иванов. К 50-летию деятельности, М., 1933.

ᲘᲞᲝᲧᲝᲜᲓᲠᲘᲐ (ბერძნ. hypochondria — სხეულის ნაწილი ნეკნების ხრტილოვანი რკალების ქვეშ, ძველად ეს ადგილი მიაჩნდათ ავადმყოფობის ლოკალიზაციის კერად), ავადმყოფური მდგომარეობა, რ-საც ახასიათებს გადაჭარბებული ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობაზე; ავადმყოფს აკვიატებული აქვს, რომ შეპყრობილია განუკურნავი სენით, რომ მძიმედ აქვს დაზიანებული სხვადასხვა ორგანო, უჩივის მრავალ უსიამოვნო შეგრძნებას და ტკივილს; მის ყურადღებას მთლიანად იპყრობს ავადმყოფური განცდები. გვხვდება ფსიქოზების, ნევროზების და სხვ. დროს. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ე ნ ძირითად დაავადებას, რ-მაც გამოიწვია ი. იყენებენ აგრეთვე ფსიქოფარმაკოლოგიურ, საერთო გამამაგრებელ საშუალებებს, შრომით და ფსიქოთერაპიას. *ბ. ნანეიშვილი.*

ᲘᲞᲡᲘ (Ipsh), ქალაქი მალაიზიაში, პერაკის შტატის ადმ. ცენტრი. 248 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. კალის მთავარი მომპოვებელი რ-ნის ცენტრი.

ᲘᲐᲠᲘ (ფრანგ. Ypres, ფლამანდ. Ieper), ქალაქი ჩრდ.-დას. ბელგიაში, დას. ფლანდრიის პროვინციაში. 34 ათ. მცხ. (გარეუბნებიანად, 1975). საფეიქრო, კეების მრეწვ., საფეიქრო მანქანათმშენებლობა.

წყაროებში იხსენიება 1109-იდან. XII—XIV სს-ში მაუდის წარმოებაში ეცილებოდა ბრიუგესა და გენტს. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ი-ის რ-ნში გერმ. მე-4 არმიამ ი-ის შვერილზე კონტრდარტყმით (1915 აპრ.) დაასწრო ბრძოლის დაწყება ინგლ.-საფრ. ჯარებს, რ-ებიც შეტევისთვის ემზადებოდნენ. ბრძოლის პირველ დღეს (22 აპრ.) გერმანელებმა ომების ისტორიაში პირველად გამოიყენეს ქიმ. იარაღი (ქლორი) და მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს. 1917 წ. 7 ივლ.—6 ნოემბ. ინგლისელების მე-5, მე-2 და ფრანგების 1-ლი არმიები არაერთხელ გადავიდნენ შეტევაზე და დიდი დანაკლისის ფასად მოიპოვეს უმნიშვნელო წარმატება. 12 ივლ. ი-თან გერმანელებმა პირველად გამოიყენეს მდოგვის გაზი, რის შემდეგაც ამ გაზს იპრიტი ეწოდა.

ირაგა (Anthemis tinctoria). ა—მოლისებრი ყვავილი; ბ—ენისებრი ყვავილი.

ᲘᲞᲠᲘᲢᲘ, მ დ ო გ ვ ი ს ა ი რ ი (β, β′-დიქლორდიეთილსულფიდი), $S(CH_2CH_2Cl)_2$ ალიფატური რიგის თიოეთერი, მომწამვლელი ნივთიერება. ი. უფერული სითხეა; $t_{ლ}$ 14,5°C, $t_{დუღ}$ 217°C, სიმკვრივე 1280 *კგ/მ*³ (15°C), ადვილად იხსნება ორგ. გამხსნელებში. ტექ. ი. მუქი ყავისფერია. აქვს უსიამოვნო სუნი, ძალიან ნელა ჰიდროლიზდება წყლით. ი. პროტოპლაზმური შხამია; ძლიერ აზიანებს კანსა და თვალს, ზედა სასუნთქ გზებსა და ფილტვებს. ი-ს ღებულობენ ორი ხერხით: 1) ეთილენისა $CH_2{=}CH_2$ და გოგირდის ქლორიდების ურთიერთქმედებით, 2) თიოდიგლიკოლისა $S(CH_2CH_2OH)_2$ და მარილმჟავას ურთიერთქმედებით.

ᲘᲥᲔᲕᲨᲙᲘᲜᲨᲙᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ 1918, მე-2 არმიის (კომანდარმი ვ. შორინი) შეტევითი ოპერაცია სამოქალაქო ომის (1918—20) დროს. ოპერაციის მიზანი იყო იჟევსკისა და ვოტკინსკის რ-ნში აგვისტოში წარმოქმნილი ფრონტის შვერილის (რ-იც მე-2 არმიის ზურგს ემუქრებოდა) ლიკვიდაცია. თეთრების განადგურების გეგმა 2 ეტაპად განხორციელდა: I ეტაპზე (სექტ. შუა რიცხვები — 5 ოქტ.) საბჭ. ჯარებმა ალყაში მოიქცეს იჟევსკ-ვოტკინსკის დაჯგუფება და 4 ოქტ. სარაპული გაათავისუფლეს; II ეტაპზე (15 ოქტ. — 15 ნოემბ.) გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და 7 ნოემბ. იჟევსკში შეიჭრნენ. 13 ნოემბ. ღამით აიღეს ვოტკინსკი, 16 ნოემბრისათვის კი მთელი რ-ნი გაათავისუფლეს.

ᲘᲥᲔᲕᲡᲙᲘ (ქალაქი 1918-იდან), უდმ. ასსრ დედაქალაქი, მდ. იჟის (კამის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 549 ათ. მცხ. (1979; 1939 წ. — 176 ათ., 1959 წ. — 285 ათ., 1970 წ. — 422 ათ.). ი. დიდი სამრეწვ. ცენტრია. მრეწვ. ძირითადი დარგებია — მეტალურგია, ლითონდამუშავება. და მანქანათმშენებლობა, აგრეთვე მსუბუქი და კეების მრეწველობა. არის საავტ., ქალალდსაკეთებელი მანქანებისა და სხვა ქ-ნები. უნ-ტი, შექან., სამედ. და სას.-სამ. ინ-ტები, ინდუსტრ. და სამონტაჟო ტექნიკუმები, სამედ., მუს. და კულტსაგანმან. სასწავლებლები. რუს. და უდმ. მუს.-დრამ. ფილარმონიები, თოჯინების თეატრი, ცირკი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1978).

ᲘᲥᲒᲐ, ი ზ ვ ა, მდინარე კომის ასსრ-ში, მდ. პეჩორის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 531 *კმ*, აუზის ფართ. 31 ათ. *კმ*². სათავე აქვს ტიმანის ჭიუხის სამხრ. ნაწილში. ძირითადად იკვებება თოვლის წყლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავიდან 154 *კმ*-ზე 203 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულგრავა მაისში. დიდი შენაკადებია: მარცხ. — უხტა, მარჯვ. — აიიუგა, სებისი. ხე-ტყის დაცურება. ნაოსნობა უსტ-უხტიდან.

ᲘᲥᲝᲠᲐ, ი ჟ ო რ ე ლ ე ბ ი, ლენინგრადის ოლქის ლომონოსოვისა და კინგისეპის რ-ნებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხი (იჟორელების მიწა, ძველად დიდი ნოვგოროდის შემადგენლობაში შედიოდა) XX ს. დასაწყისამდე ინარჩუნებდნენ თავის ენას (ფინ. ჯგუფისა), მტერ. და სულიერი კულტ. ზოგიერთ თავისებურებას (ტანსაცმელი, საკვები, საცხოვრებელი დ სხვ.). ამჟამად რუს. ენაზე ლაპარაკობენ (უფროსი ნაობა — იჟორულხეც). მორწ სუნე ი-ები მართლმადიდებლები არიან ძირითადად მუშაობენ სოფ. მეურნეობას და მრეწველობაში.

ᲘᲠᲐᲒᲐ (Anthemis), მცენარეთა გვარი ერთულყვავილოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი ბალახები, ზოგჯერ ბუჩქბალახებია. 150-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში. სსრკ-ში, ძირითადად კავკასიაში 50-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში — 19, აქედან 3 საქართველოს ენდემია 2 — კავკასიისა. სახეობათა უმრავლესობა გავრცელებულია სუბალპ. და ალპ. სარტყლის კლდეებსა და ნაზვავებზე, ნაწილი-ნახევრად უდაბნოებში, უდაბნოებში, ველებზე, ტყისპირებზე, რუდერალურ ადგილებზე. ზოგი სახეობა ნათესების სარეველაა, ზოგი დეკორატიულია.

ე. ხინთიბიძე

ᲘᲠᲐᲒᲐ, თეთრი წყაროს რ-ნის სოფლები *დიდი ირაგისა* და *პატარა ირაგის* ძვ. სახელწოდება.

ᲘᲠᲐᲕᲐᲓᲘ, უდიდესი მდინარე ბირმაში სათავე აქვს ტიბეტის მთიანეთის სამხრ. აღმ. კიდეზე. სიგრძე 215) *კმ*, აუზი ფართ. 430 ათ. *კმ*² (სხვა მონაცემებით 41 ათ. *კმ*²). ზემოთში ხეობა ღრმა და ჭრ. რომიანია, შუაწელსა და ქვემოთში ი. განიერ ტერასებიან ხეობაში მიდინება. ერთ ვის ანდამანის ზღვას და აჩეს ვრცელ დ ჭაობებულ დელტას (ფარო. 30 ათ. *კმ*² სხვა მონაცემებით 48 ათ. *კმ*²). საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით, აქვს მ სონური რეჟიმი. აპრ.-სექტ-ში წყალუხვ ზამთარში — წყალმცირე. წყლის საშ. წლ ხარჯი ქვემო დინებაში 13—14 ათ. *მ*³/*წმ*



ითავსხმა წვიმების დროს 40 ათ. *მ³/წმ* ალემატება. სანაოსნოა შესართავიდან 1440 *კმ*-მდე. იყენებენ სარწყავად. ი-ის ნაპირნეა ქ-ები: მანდალაი, პიი, ჰინტადა, დელტაში — ბირმის დედაქალაქი რანგუნი.

ირაკუ, ი რ ა კ ი (ძვ. სახელწ. მ ბ უ ლ უ), ხალხი ტანზანიაში. რაოდ. დაახლ. 300 ათ. კაცი (1967, შეფასება). ენა — ირაკი. ინარჩუნებენ ტრად. ტომობრივ რწმენებსა და კულტებს. ძირითადი საქმიანობაა მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან ერთად.

ირანელები, ირანის მოსახლეობის ოფიციალური სახელწოდება. *სპარსელების* ანარდა (რ-ებიც ქვეყნის მოსახლ. თითქმის ახევარს შეადგენენ), ირანის მმართველი ერეები ი-ს მიაკუთვნებენ ირანში მცხოვრებ ისლამის მიმდევარ სხვა ხალხებს აზერბაიჯანელები, ქურთები, ლურები, ბურქმენები და სხვ.). ეროვნ. უმცირესობად ითვლებიან მხოლოდ სხვა რელიგიის მიმდევარი ხალხები (სომხები, ასირიელები, ებრაელები და სხვ.).

ირანი, ი რ ა ნ ი ს ი ს ლ ა მ უ რ ი რ ე პ უ ბ ლ ი კ ა (ჯომჰურიე ესლამიე ირან; 935-მდე — ს პ ა რ ს ე თ ი).

I. ზოგადი ცნობები

ი. — სახელმწიფო სამხრ.-დას. აზიაში. რდ-ით ესაზღვრება სსრკ, დას-ით — თურეთი და ერაყი, აღმ-ით — ავღანეთი და აკისტანი. ჩრდ-ით აკრავს კასპიის ზღვა, ამხრ-ით — სპარსეთისა და ომანის ყურეები, სადაც რამდენიმე მისი კუნძულია (ყეშმი, ჰორმუზი, ხარქი და სხვ.). ფართ. 1648 ათ. *კმ²*, მოსახლ. 34,7 მლნ. კაცი (1978, ეფასება). დედაქალაქი—თეირანი. ოფიც. ნა — სპარსული. ეროვნ. დღესასწაულია ა ბრ. — რევ. დღე (1979). ოფიც. *კალენარი* — მზის *ჰიჯრა*, იყენებენ აგრეთვე თვარის ჰიჯრასა და გრიგორიანულ კალენდარს. ფულის ერთეულია რიალი. ერკ სახელმწ. ბანკის კურსით (1980 ისი) 100 რიალი = 0,91 მანეთს.

ადმინისტრაციულად ი. იყოფა 23 ოსანად (პროვინციად).

II. სახელმწიფო წესწყობილება

ი. ისლამური რესპუბლიკაა, სახელმწ. ელისუფლების უმაღლესი ორგანოა ისლამური რევ. საბჭო, აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის დროებით მთავრობას, -იც შექმნა ისლამურმა რევ. საბჭომ. ადილ. მმართველობას ახორციელებს რევ. ომიტეტები. სახელმწ. გერბი და სახელმწ. როშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო როშა.*

III. ბუნება

ი-ის უმეტესი ნაწილი *ირანის მთიანეთის* ფარგლებში მდებარეობს. მის შიგა -ნებში ზეგნები და მაღალი ვაკეებია, რის უდაბნოები (დაშთე-ქევირი, დაშთელუთი და სხვ.). ჩრდ-ით გადაჭიმულია *ალბურსის* მთები (ვულკანი დემავენდი, 5604 *მ*, ი-ის უმაღლესი წერტილი), რ-იც ასპიის ზღვისაგან გამოყოფილია დაბლობის ვიწრო ზოლით. ქვეყნის ჩრდ.-ას. ნაწილი უჭირავს *სომხეთის მთიანეთს,* სამხრ.-დას. და სამხრეთი — *ზაგროსისა* და სამხრ. ირანის მთათა სისტემას ქედებს. სპარს. და ომანის ყურეების ნაპირა ზოლი დაბლობია, რ-იც მესოპოტამიის დაბლობში გადადის. ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილი უჭირავს *თურქმენეთ-ხორასანის მთებს,* აღმოსავლეთი — *აღმოსავლეთ ხანის მთებს.*

ი. მდიდარია ნავთობითა და აირით, -თა საბადოები ზაგროსის კიდურ როფს ავშირდება. მოიპოვება აგრეთვე ქვანახშირი, რკინისა და ქრომის მადანი, პოლიტალები, ბოქსიტები, გოგირდი, სტიბიუ, ბარიტი, ქვამარილი.

ტერიტ. დიდი ნაწილის ჰავა სუბტროპ., კონტინენტურია, ზაფხული ცხელი იცის, ზამთარი ჩრდ-ით — ციცი, სამხრით — თბილი; სპარს. და ომანის ყურეების სანაპიროზე ტროპ., ცხელი ჰავაა. იანვ. საშ. ტემპ-რა თეირანში 2°C-მდეა, ომანის ყურის სანაპიროზე 19,4°C; ივლისისა— შესაბამისად, 29,4°C და 32,5°C. ნალექები საშუალოდ 50-იდან 500 *მმ*-მდეა წელიწადში, ელბურსის კალთებსა და სამხრეთ კასპიის დაბლობზე — 2000 *მმ*-მდე.

მდ-ები უმეტესად წყალმცირეა. დიდი მდ-ებია ქარუნი და სეფიდრუდი. ქვეყნის განაპირა რ-ნებსა და საზღვრების გასწვრივ მიედინება მდ-ები ათრაქი, არაქსი, ჰილმენდი, ჰარირუდი, შატ-ელ-არაბი. მთათაშუა ღრმულებში რამდენიმე დიდი გაუდინარი ტბაა — რეზაიე (ურმია), დარიაჩეიე-ნამაქი, ჰამუნი და სხვ. ფართოდ იყენებენ მიწისქვეშა წყლებს.

დაბალმთიანეთსა და მთისწინა ვაკეზე უმთავრესად წვრილბუჩქოვანი უდაბნოს მცენარეულობაა გავრცელებული ღორღიან რუხ ნიადაგზე. შიგა რ-ნების მთებში ჭარბობს სტეპის ქსეროფიტული მცენარეულობა მთის ყავისფერ ნიადაგზე, ელბურსის ჩრდ. კალთებზე ფართოფოთლოვანი ტყე ტყის ყომრალ ნიადაგზე, ზაგროსის მთებში — ტყის ქსეროფიტული მცენარეულობა, სამხრ. რ-ნებში უმთავრესად სავანის ტიპის მცენარეულობა წითელმიწა ტროპ. ნიადაგზე, დადაბლებულ ადგილებსა და მდინარეთა გასწვრივ მდელოსა და მლაშობის მცენარეულობა ალუვიურ, ზოგჯერ მლაშობ ნიადაგზე.

უდაბნოსა და ნახევარუდაბნოში ბინადრობენ მღრღნელები და ქვეწარმავლები, შიგა რ-ნების მთებსა და მთისწინეთში — გარეთხა, მგელი, მელა, აფთარი, ჯიქი, ჩრდ-ით — მურა დათვი, გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, შველი, სამხრ. და სამხრ.-აღმ. ტროპ. რ-ნებში — ხელფრთიანები, მანგუსტი, ქამელეონი და სხვ. გარემომცველი წყლები მდიდარია თევზით.

IV. მოსახლეობა

ი-ში ცხოვრობს 30-ზე მეტი სხვადასხვა ხალხი. მოსახლ. დაახლ. 75%-ს შეადგენენ ირანულენოვანი ხალხები: სპარსელები (13,5 მლნ., 1970, შეფასება), მათთან ახლომდგომი გილანელები (1,6 მლნ.), მაზანდარანელები (1,2 მლნ.), ქურთები (2,5 მლნ.), ლურები (0,8 მლნ.), ბახთიარები (0,5 მლნ.), ბელუჯები (0,65 მლნ.), თალიშები (0,68 მლნ.), თათები (0,3 მლნ.), ჰაზარები, ჯემშიდები, ავღანელები, ტაჯიკები (სულ 0,25 მლნ.). თურქულენოვან ჯგუფს განეკუთვნებიან აზერბაიჯანელები (5 მლნ. კაცი), ყაშხაელები (0,38 მლნ.), თურქმენები (0,45 მლნ.), ასეეე — ყაჯართა, ხორასანთა და სხვ. ტომები. ცხოვრობენ აგრეთვე არაბები (550 ათ.), სომხები (200 ათ.), ასურელები (75 ათ.), ებრაელები (70 ათ.), ბრაჰუი, ქართველები, ბოშები. ლურები, ბახთიარები, ყაშხაელები, ავშარები, ქურთების, არაბების, სპარსელების ნაწილი მისდევენ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას. რელიგიაა — ისლამი, სომხებისა და ასურელებისა — ქრისტიანობა, სპარსელების ნაწილი ზოროასტრიზმის მიმდევარია, ქურთების ნაწილი *იეზიდებია.*

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 45% დასაქმებულია სოფ. მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში, 30% — მრეწველობასა, მშენებლობასა და ტრანსპორტში, 20%-ზე მეტი — ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 21,1 კაცი 1 *კმ²*-ზე (1978). მოსახლ. თითქმის ნახევარი კონცენტრირებულია ქვეყნის ჩრდ. ნაწილში. მოსახლ. დაახლ. 40% ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: თეირანი (4,5 მლნ. მცხ., 1976), ისპაანი, მეშჰედი, თავრიზი, შირაზი, აბადანი, აჰვაზი.

V. ისტორიული ნარკვევი

თანამედროვე ი-ის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის უკანასკნელ ხანაში უცხოვრია. ძვ. წ. IV—III ათასწლ. მიჯნაზე სამხრ.-დას. ი-ში კლასობრივი საზ-ბა წარმოიშვა — თავდაპირველად ქალაქ-სახელმწიფოები, შემდეგ— *ელამის* სახელმწიფო. ელამის ადრინდ. კლასობრივი საზ-ბა განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ. წ. XIII—XII სს-ში. ძვ. წ. IX ს-ში და VIII ს. შუა წლებიდან VII ს. დასაწყისამდე ასურეთისა და ურარტუს მეფეებმა რამდენჯერმე დალაშქრეს ი-ის მთიანეთი, სადაც ისინი მიდიელთა ტომების წინააღმდეგობას წააწყდნენ. ი-ის ბევრი რ-ნი შეიერთა ასურეთმა. ირანის მთიანეთის ჩრდ.-დას. ნაწილში დაახლ. ძვ. წ. 672 წარმოიშვა ირანულენოვანი სახელმწიფო *მიდია.* ძვ. წ. 616—605 მიდიამ ბაბილონთან ერთად დაარბია ასურეთის სახელმწიფო, დაიპყრო აგრეთვე მანა, ურარტუ და ი-ის მთიანეთის დიდი ნაწილი. ძვ. წ. 553—550 მიდიას აუჯანყდა მისი ქვეშევრდომი ფარსის სამეფო, 550 ძალაუფლება *აქემენიდების* სპარს. დინასტიის ხელში გადავიდა. აქემენიდთა სახელმწიფოს დამამარსებელმა *კიროს II-მ* დაიპყრო მთელი მცირე აზია ლიდიისა და მცირე აზიის ბერძნ. ქ-ებითურთ, ბაბილონი, სირია, პალესტინა და შუა აზიის ნაწილი, მისმა ვაჟმა კამბისემ — ეგვიპტე. ძვ. წ. 330 აქემენიდთა სახელმწიფო დაიმორჩილა *ალექსანდრე მაკედონელმა.* 314 ი. სელევკე I ნიკატორის ელინისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. ძვ. წ. III ს. შუა წლებში წარმოიქმნა *პართიის სამეფო,* რ-ის შემადგენლობაშიც ძვ. წ. II ს. შუა წლებში შევიდა ი-ისა და ერაყის მთელი ტერიტორია (დედაქალაქი — ქტესიფონი მდ. ტიგრის ნაპირზე). სახელმწიფოში გაბატონებული რელიგია იყო *ზოროასტრიზმი.* ძვ. წ. I ს-იდან მოყოლებული პართია ჩაება რომთან ხანგრძლივ ომში. ახ. წ. 224 პართიაზე დამოკიდებულმა ფარსის გამგებელმა არდაშირ პაპაკანმა ორმოზდაგანის ველზე დაამარცხა უკანასკნელი პართელი ხელმწიფე არტაბან V და 226 სამეფო გვირგვინი დაიდგა. წარმოიშვა სასანიანთა სახელმწიფო. ი-ში ამ პერიოდში სწრაფად განვითარდა ფეოდ. ურთიერთობა. VI—VII სს. ი-ში ადრინდ. ფეოდ. ურთიერთობამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. სასანურ ი-სა და რომს, ხოლო შემდეგ ბიზანტიას შორის საუკუნეთა მანძილზე გამუდმებული ომი იყო სომხეთის, იბერიის, ალბანეთისა და მესოპოტამიის ხელში ჩასაგდებად. შაპურ I-ის დროს ი-მა დაისაკუთრა მესოპოტამია და სომხეთი. 298 ზავით ეს ქვეყნები რომს ერგო. 430 სომხ. აღმ. ნაწილი ი-მა თავის პროვინციად აქცია, იბერიის მეფე კი შაჰრდარი (სამეფოთა მფლობელი, მეფის ხელისუფლების მატარებელი) იყო. 523 შაჰმა ქართლში მეფობა გააუქმა. IV—V სს-ში სასანიანთა სახელმწიფომ ამიერკავკასიაშიც მტკიცედ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ქართველები, სომხები, ალბანელები ხშირად უჯანყდებოდნენ მას (აჯანყება ვახტანგ გორგასლის მეთაურობით 484 და სხვ.). გვიანდ. სასანურ ხანაში ი-ის საზ-ბა ოფიციალურად 4 ფენად იყოფოდა: ქურუმები, სამხ. დიდკაცობა, მოხელეები და გადასახადის გადამხდელები. სასანურ ი-ში საბოლოოდ მოხდა *ავესტის* კანონიზაცია და ჩამოყალიბდა ზოროასტრიზმის დოგმები. ქურუმთა ფენა გაძლიერდა. თავი იჩინა სოც. პროტესტმა სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ, რ-იც რელიგ. ერესებში გამოიხატა. III ს. შუა წლებიდან ჩნდება ოპოზიციური რელიგ. მოძღვრება — *მანიქეიზმი,* V. ს. ბოლოდან — რევ. მოძღვრება *მაზდაკიზმი. მაზდაკელთა მოძრაობის* განადგურების შემდეგ ხოსრო I-მა ანუშირვანმა (531—579) გაატარა რეფორმები. ხოსრო I-ისა და მისი მემკვიდრეების დრო-

ირანი

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 207
II. სახელმწიფო წესწყობილება 207
III. ბუნება 207
IV. მოსახლეობა . . . 207
V. ისტორიული ნარკვევი 207
VI. პოლიტიკური პარტიები 210
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი 211
VIII. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 212
IX. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი 212
X. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია . . . 212
XI. ლიტერატურა . . 212
XII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 213
XIII. მუსიკა 214
XIV. დრამატული თეატრი 214
XV. კინო 214

იდან იწყება ი-ის ხანმოკლე აყვავების პერიოდი. ი-მა დაიპყრო სირია, პალესტინა, სამხრ. არაბეთი და ეგვიპტე. დაებუქრა თვით ბიზანტიას, მაგრამ ქვეყნის შიგნით ფეოდ. სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებამ, ახ. მტრის — არაბების გამოჩენამ, რ-თაც სასანიანებმა ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა, ქვეყანა დალუპვამდე მიიყვანა (იხ. *არაბთა დაპყრობითი ომები*). ი. შევიდა ჯერ *ომაიანთა სახალიფოს* (661—750), ხოლო შემდეგ *აბასიანთა სახალიფოს* (750—1258) შემადგენლობაში. ი-ის ერცელი ტერიტ. გადაეცა არაბ ტომებს. ბევრი არაბი ჩასახლდა ი-ის ქ-ებში, დაიწყო ი-ის გაარაბება. VIII ს-ში თავი იჩინა ანტიარაბ. ინტელექტუალურმა მოძრაობამ („შუუბია"). ი-ში ფართოდ გავრცელდა *ისლამი,* მაგრამ იგი მხოლოდ X ს. ბოლოს გადაიქცა ი-ის მოსახლ. უმეტესობის ძირითად რელიგიად. არაბთა ბატონობამ ი-ში ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია, რაც უკვე VII ს. 80-იან წლებში გამოვლინდა გლეხთა აჯანყებებში, რ-თა იდეოლოგიური ფორმა ან ისლამის რელიგ.-პოლიტ. მიმართულებანი — შიიზმი და ხარიჯიტობა იყო, ან მაზდაკელთა მოძღვრების გაგრძელება—ხურამიტობა. 747 მარვის ოაზისში დაიწყო და შემდეგ ი-ში გავრცელდა ომაიანთა წინააღმდეგ მიმართული სახ.-განმათ. მოძრაობა, რ-საც *აბუ მუსლიმი* ხელმძღვანელობდა. ეს აჯანყება გამოიყენეს აბასიანებმა და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. ამით ისარგებლეს ირან. *დეჰყანებმა,* რ-ებიც აბასიანებმა დაწინაურეს სახელმწიფო სარბიელზე. აბასიანთა დროს გლეხთა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, რამაც გამოიწვია ახ. აჯანყებები: სუმბატ მოგვის (აღმ. ი-ში, 755), უსტად სისის(ხორასანში, 767), „წითელდროშიანთა" (გორგანში, 778 — 779); გლეხთა ომი ბაბექის ხელმძღვანელობით (816—837) აზერბაიჯანსა და დას. ი-ში, გლეხთა აჯანყება ტაბარისტანში (839). IX—X სს-ში ი-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მემკვიდრეობითი საამიროები, რ-ებიც მხოლოდ ნომინალურად იყო დამოკიდებული სახალიფოსაგან: *ტაჰირიდების* (821—873) ხორასანში, *საფარიდების* (861) სისტანში, შემდეგ ხორასანში (873—900) და სხვ. 900 ხორასანი და მთელი აღმ. ი. შევიდა *სამანიდების* სახელმწიფოს (819—999) შემადგენლობაში. დას. ი-ში ჩამოყალიბდა *ბუიდების* სახელმწიფო (935—1055). X ს-ში და XI ს. პირველ ნახევარში ი-ში შეინიშნება ეკონ. და კულტ. აღმავლობა. განვითარდა ქ-ები და საქალაქო ცხოვრება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქ-ები იყო *ისპაანი, შირაზი,* რეი, ნიშაბური. სამანიდების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (X ს. ბოლოს), აღმ. ი. შუა აზიისა და თანამედროვე ავღანეთის ნაწილთან ერთად შევიდა ღაზნევიდთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, რ-ის ყველაზე ცნობილი მბრძანებელი იყო *მაჰმუდ ღაზნელი.* XI ს. დასაწყისიდან ი-ში დაიწყო თურქ-ოღუზების შემოსევები. ერთ-ერთმა თურქ. ტომმა—*სელჩუკებმა* დაამარცხა ღაზნევიდთა ჯარი დანდანექანთან (1040), დაიპყრო მთელი ი. და მისი მიმდგომი ქვეყნები (1040—50 შორის). წარმოიშვა, ი-ის „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფო, რ-ის პირველი სულთანი იყო *თოღრულ-ბეგი.* მან ი-ის შემდეგ (1055) დაიპყრო ბაღდადი. თურქ-სელჩუკთა დაპყრობები გაგრძელდა *ალფ-არსლანის* დროსაც (1063—72). მან XI ს. 80-იან წლებში ორჯერ დალაშქრა საქართველო (იხ. *ალფ-არსლანის ლაშქრობანი საქართველოში 1064, 1068*). 1071 მანციკერტთან ბრძოლაში თურქ-სელჩუკებმა სასტიკად დაამარცხეს ბიზანტიელები. ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს სომხეთი, ალბანეთი, საქართველოს სამხრ. და აღმ. ნაწილები. თურქ-სელჩუკთა ჩამოსახლდომა საქართველოში გაგრძელდა *მელიქშაჰ I-ის* დროსაც (1072—92). XI ს. 80-იან წლებში საქართველოში იყო „დიდი თურქობა". ი-ის „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოში ცენტრალისტური სახელმწ. პოლიტიკის გამტარებელი იყო ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის ვეზირი *ნიზამ ალ-მულკი,* მაგრამ ამ პოლიტიკამ მარცხი განიცადა. XII ს. დასაწყ. სელჩუკთა სახელმწიფო სასულთნოებად დაიშალა [„დიდ სელჩუკთა" — ხორასანში (1157-მდე), ერაყის (1118—94), ქირმანის (1041—1187)]. წარმოიშვა ისმაილიტთა სახელმწიფო, რ-ის ცენტრი იყო ალამუთში. XII ს-ში გახშირდა შინადინასტიური ბრძოლები, ფეოდალთა ამბოხებები. ბალხელი ოღუზების თარეშმა ხორასანში (1153) დააჩქარა „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს განადგურება. XII ს. ბოლოსათვის მთელი ი. ხუზისტანისა და აზერბაიჯანის გარდა, დაიპყრო ხვარაზმშაჰმა თექეშმა (განაგებდა 1172—1200). XIII ს-ში მონღოლებმა დაარბიეს ხვარაზმშაჰების სახელმწიფო და დაიპყრეს ი. (1220—56). მონღოლთა მიერ ი-ის დაპყრობას მოჰყვა მრავალი ქალაქის განადგურება, აურაცხელი ხალხის დაღუპვა, რაც ი-ის ეკონ. და კულტ. დაქვეითების მიზეზი გახდა. XIII ს. შუა წლებიდან XIV ს. შუა წლებამდე ი. ილხანთა (ჰულაგუიანთა) მონღ. ულუსის შემადგენლობაში შედიოდა. ყაზან-ყაენმა (1295—1304) მიიღო ისლამი და დაუახლოვდა ირანულ სამოხელეო ბიუროკრატიას. მან თავისი ვეზირის რაშიდ ალ-დინის დახმარებით გაატარა შიელი რიგი რეფორმები, რითაც დროებით ხელი შეუწყო ქვეყნის სამეურნეო აღმავლობას. XIII ს. ბოლოს იფეთქა რამდენიმე აჯანყებამ (1298 ამირ ნოვრუზის აჯანყება ხორასანში, 1297 აჯანყება საქართველოში ილხანთა წინააღმდეგ და სხვ.). XIV ს. 30-იან წლებში ჰულაგუიანთა ი. რამდენიმე ფეოდ. სახელმწიფოდ დაიშალა, რ-თა შორის უმთავრესი იყო ჯალაირიდებისა (1337—1411) და მოზაფერიდების (1313—93) სახელმწიფოები. ფეოდალიზაციის პროცესსა და მონღოლთა ბატონობას თან ახლდა გადასახადებისა და ვალდებულებების ზრდა, რ-მაც გამოიწვია ანტიმონღ. და ანტიფეოდალური აჯანყებები (*სარბედართა აჯანყება* ხორასანში, რ-ის შედეგადაც წარმოიშვა სარბედართა სახელმწიფო 1337—81; აჯანყება მაზანდარანში, რის შედეგადაც წარმოიშვა ე. წ. სეიდების სახელმწიფო 1350—93; სახ. მოძრაობები XIV ს. 60—70-იან წლებში გილანსა და ქირმანში). 1380—93 შორის ი. დაიპყრო *თემურლენგმა,* რასაც თა


50°
60°
70°
40°
30°
250 კმ
ბ ა ს ტ ა ნ ი ს
ს ა ს ა ნ ი
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი
ხ ო რ ა ს ა ნ ი
ბ ა ღ დ ა დ ი
ბ ა ს რ ი ს
ბ ა ს ა ნ ი
ბ ა ბ ი ლ ო ნ ი
ბ ა ბ ი ლ ი
ბ ა ღ დ ა დ ი
ბ ა ს ტ ა ნ ი
ბ ა ბ ი ლ ი
ბ ა ბ ი ლ ი
ბ ა ბ ი ლ

ე თითქმის ყოველთვის ქართველი იყო. I ს. პირველი ათეულიდან 1639-მდე ფიანები ეომებოდნენ ოსმალებს მესოტამიის, ქურთისტანისა და ამიერკავკასიის გამო (იხ. *აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში*). ამ ომების პირველი ციკლი (1534—55) ამასიის ზავით დასრულდა (*ირან-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს., ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებები XVI—XVIII სს.*), რ-ის ძალითაც ერკავკ. (საქართველო) შუაზე იქნა ოფილი.

XVII ს. II ნახევრიდან დაიწყო ი-ის ლიტ. და ეკონ. დაქვეითება. თანდათანით დაეცა სოფ. მეურნეობა, მკვეთრად ცირდა საშინაო ბაზარი, სასაქონლო რმოება და ვაჭრობა, გამწვავდა კლასური წინააღმდეგობა. XVII ს. ბოლოსა XVIII ს. დასაწყისში ი-ის სხვადასხვა ში მოეწყო გლეხთა და ქალაქის მოლ. დაბალი ფენების ანტიფეოდ. აჯანები, გაფართოვდა დაპყრობილი ხალის (ქართველები, სომხები, აზერბაიელები და სხვ.) ბრძოლა სეფიანთა ალიდან. საერო ფეოდალებსა და გავიან შიიტურ სამღვდელოებას შო- გამწვავდა წინააღმდეგობა და ბრძო- ხელისუფლების, მიწებისა და შემოლიანი ადგილების განაწილებისათვის. ან ღილზების აჯანყებამ და 1722 მათ- შეჭრამ ი-ში ბოლო მოუღო სეფიანთა ელმწიფოს. ავღანელთა ხანმოკლე ბანობით ისარგებლა ოსმალეთმა და 1723 იკავა ი-ის ჩრდ.-დას. და ცენტრ. ოლქები. ამან გამოიწვია ანტიავღანური სახ. ბრაობა, რ-საც, ისევე როგორც ი-იდან რქების განდევნას (1730—36), ხელმძღვანობდა ნადირ-ხან ავშარი. 1736 იგი ს ტახტზე ავიდა. 1735—45 *ნადირ-შაჰმა* ითლში „ყიზილბაშობა" დაამყარა. მრაურიცხოვანი ომებისა და ლაშქრობების დეგად ნადირ-შაჰმა შექმნა უზარმაზარ ფეოდ. სახელმწიფო, რ-იც მალე დაილა; 1747 შეთქმულმა ხანებმა ნადირ-ი მოკლეს. ამას მოჰყვა ფეოდ. შინაო, რაც XVIII ს. ბოლომდე გაგრძელ. გამოოკლისს წარმოადგენს ქერიმ-ხან ნდის ზეობის ხანა (1760—79). XVIII უკანასკნელ მეოთხედში ზენდებსა და გარებს შორის ხანგრძლივი ბრძოლის ძდეგ ი-ში გაბატონდა ყაჯართა დინასა, რ-ის დამაარსებელია *აღა-მაჰმად-ხან* ჯარი. 1795 იგი შემოესია საქართველოს აოხრა თბილისი (იხ. *კრწანისის ძოლა 1795*). XIX ს. დასაწყისისათვის ასომებით დასუსტებული ფეოდ. ი. ევრ. იტალ. სახელმწიფოების კოლონ. ექსსიის ობიექტად იქცა. ი-ში დამყარდა იტულაციების რეჟიმი. ი-მა ხელი მოაწერა არათანასწორუფლებიან ხელშეკრულეს ინგლისთან, საფრანგეთთან, რუსეთ- ნ და ევრ. სხვა სახელმწიფოებთან, აგთვე აშშ-თან (1856). რუსეთ-ირანის ების (XIX ს.) შედეგად ი-ის მიერ ადრე ბაცებული ამიერკავკ. ზოგიერთი ტეტ. რუს. იმპერიის ხელში გადავიდა. ი-ში წვავდა სოც. და ეკონ. კრიზისი. დიდ- სოც. წინააღმდეგობებმა და გაზრდილ- სახ. უკმაყოფილებამ თავი იჩინა ანტიფეოდ. *बाबიდების აჯანყებებში* (1848—), რ-იც ობიექტურად მიმართული იყო ბეთვე უცხ. კაპიტალის მიერ ი-ის დაკაალების წინააღმდეგ. გაბატონებული კლა- ნაწილი — მულქადარები (ბაზართან კავშირებული მიწის კერძო მესაკუთრე ამულენი) ცდილობდნენ უცხო სახელ- ფოთა გავლენის შეზღუდვასა და ტრ. ხელისუფლების, ეროვნ. დამოდებლობის, ქვეყნის საფინანსო და ნ. მდგომარეობის განმტკიცებას. ამას ხავდა მიზნად *მირზა თაყი-ხან* ამირ ამის რეფორმები, რასაც შინაური რეაქ- ისა და უცხო სახელმწიფოების, უმთავ- ად ინგლისის მხრიდან წინააღმდეგო- ს გამო დიდი წარმატება არ მოჰყოლია. რამ ამ რეფორმებთან დაკავშირებით XIX ს. შუა წლებში ი-ის ეკონომიკასა და კულტურაში შეინიშნება ძვრები. XIX ს. უკანასკნელ მესამედსა და XX ს. დასაწყისში გაძლიერდა ინგლ. და მეფის რუსეთის მიერ ი-ის შემდგომი დაკაბალება. ინგლისმა და მეფის რუსეთმა მიიღეს ტელეგრაფის, საგზაო და მთელი რიგი სხვ. კონცესიები. დაარსდა ინგლ., შაჰინშაჰის (1889) და რუს. საალრიცხვო-გამსესხებელი (1890) ბანკები. 1901 ინგლისელებმა მიიღეს ი-ის ნავთობის ექსპლუატაციის კონცესია. ინგლისისა და რუსეთისაგან კაბალური პირობებით მიღებული იქნა სესხი. XX ს. დასაწყისისათვის ი. იმპერიალ. სახელმწიფოების ნახევარკოლონიად გადაიქცა. XIX ს. ბოლოს დაიწყო სპარსელებისა და აზერბაიჯანელების ერებად ჩამოყალიბება, იზრდებოდა ეროვნ. თვითშეგნება, ჩაისახა ბურჟ. ნაციონალიზმის იდეები. იმპერიალ. ჩაგვრის გაძლიერებამ და სოც. წინააღმდეგობების გამწვავებამ ნიადაგი მოამზადა ი-ის ანტიფეოდ. და ანტიიმპერიალ. რევოლუციისათვის, რ-იც ი-ში რუსეთის 1905 რევ. უშუალო გავლენით მოხდა (იხ. *ირანის რევოლუცია 1905—11*). 1907 ინგლისმა და რუსეთმა შეთანხმება დადეს ი-ის გაყოფის შესახებ ინგლისისა და რუსეთის გავლენის სფეროებად და ნეიტრალურ ზონად. ინგლისმა და რუსეთმა არაერთხელ გამოიყენეს თავიანთი ჯარები ი-ში რევ. მოძრაობის დასათრგუნავად. გერმანია ცდილობდა ესარგებლა ანტიინგლ. და ანტირუს. განწყობილებით ი-ში თავისი პოზიციების გასამტკიცებლად. ამასვე შეეცადა აშშ, რ-მაც 1911 ი-ში გაგზავნა მისია მ. შუსტერის მეთაურობით. 1911 ბოლოს ი-ის რევოლუცია ჩაახშო ინგლ. იმპერიალიზმმა, რუს. ცარიზმმა და ი-ის რეაქციამ. რევ. დამარცხებამ ხელი შეუწყო რუს. და ინგლ. მეიერ ი-ის შემდგომ დაკაბალებას. ი-ში განმტკიცდა გერმ. პოზიციებიც. I მსოფლიო ომის დროს ი-ის ტერიტ. საომ. მოქმედების ასპარეზად გადაიქცა. ომის ბოლო ხანებისთვის ჩრდ. ი. ისპაანამდე დაკავებული იყო რუს., ხოლო სამხრ. ი. — ინგლ. ჯარების მიერ. 1915 მარტში ინგლისმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას ი-ის ნეიტრალური ზონის გაყოფის შესახებ. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით ი-ში 1918 დაიწყო ანტიიმპერიალ. და დემოკრ. მოძრაობის აღმავლობა. საბჭ. მთავრობამ ხელი აიღო მეფისა და დროებითი მთავრობების იმპერიალ. პოლიტიკაზე ი-ის მიმართ. გაუქმდა ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება და შეთანხმება. ი-იდან გამოიყვანეს რუსეთის ჯარი. ი-ში შეიქმნა პროფკავშირები, დაიწყო მუშათა გაფიცვები. სამხრ. ი-ში დაიწყო ანტიინგლ. გამოსვლები. ინგლისს სურდა ი. გადაექცია თავის კოლონიად და საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის პლაცდარმად. 1918 მათ დაიკავეს მთელი ი. და 1919 თავს მოახვიეს კაბალური შეთანხმება. ინგლისელთა კონტროლქვეშ შეიქმნა ვოსუგ აღ-დოულეს მთავრობა, რ-იც ანტისაბჭ. პოლიტიკას ატარებდა. 1920—25 ი-ში ეწყობოდა ანტიიმპერიალ. ეროვნ.-განმათ. აჯანყებები. 1920 შეიქმნა *ირანის კომუნისტური პარტია* (იკპ). ინგლისელები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ დისკრედიტირებული ი-ის ფეოდ. არისტოკრატიის დახმარებით ი-ის დამორჩილებაზე. 1921 წ. 21 თებ. სპარსელმა კაზაკებმა რეზა-ხანის მეთაურობით მოაწყვეს სახელმწ. გადატრიალება. საზოგადოებრიობის გაღენით ახ. მთავრობა იძულებული იყო გაეუქმებინა ფაქტობრივად უკვე ჩაფუშული ინგლის-ი-ის 1919 შეთანხმება. 1921 წ. 26 თებ. ი-მა ხელი მოაწერა თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას საბჭ. რუსეთთან. რეზა-ხანმა ქვეყნის ცენტრალიზაციის მიზნით დაიწყო ბრძოლა მსხვილი ფეოდალების სეპარატიზმის წინააღმდეგ. ი-ის ყაჯართა დინასტიის უკანასკნელმა შაჰმა აჰმადმა 1923 რეზა-ხანი პრემიერმინისტრად დანიშნა. 1925 წ. 31 ოქტ. მეჯლისმა ყაჯართა დინასტია დამხობილად გამოაცხადა, ხოლო იმავე წლის 12 დეკ. დამფუძნებელმა კრებამ *რეზა-შაჰ ფეჰლევის* სახელით ტახტზე აიყვანა რეზა-ხანი. ქვეყანაში დამყარდა მემამულურ-ბურჟ. დიქტატურის რეჟიმი. მიიღეს კანონები და დადგენილებები, რ-ებიც ხელს უწყობდა ბურჟ. ურთიერთობათა განვითარებას. კულტურისა და ყოფის სფეროში მოხდა ცვლილებები. ამავე დროს სასტიკად იდევნებოდა არა მარტო მუშათა და გლეხთა, არამედ ყოველგვარი დემოკრ. და ოპოზიციური მოძრაობა. 1927 ხელი მოაწერეს საბჭ. კავშირ-ი-ის ხელშეკრულებას გარანტიისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ შემდგომ ი-ის მთავრობამ გადაუხვია სსრკ-თან მეგობრული ურთიერთობის პირობას და განამტკიცა კავშირი ინგლისთან. 1937 ი. შევიდა საადაბადის პაქტში. 30-იან წლებში ი. დაუახლოვდა ფაშისტურ გერმანიას. II მსოფლიო ომის დაწყების წინ გერმანიამ ი. ფაქტობრივად შუა აღმოსავლეთში თავის ბაზად და სსრკ-ზე თავდასხმის პლაცდარმად გადააქცია. საბჭ. მთავრობამ 1941 წ. 26 ივნ., 19 ივლ., 16 აგვ. გააფრთხილა რეზა-შაჰი აღეკვეთა ი-ში ფაშისტური აგენტურის მოქმედება, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ, საბჭ. მთავრობა იძულებული გახდა საბჭ. რუს.-ირანის 1921 ხელშეკრულების თანახმად, 1941 წ. 25 აგვ. ი-ში დროებით შეეყვანა საბჭ. ჯარები. ერთდროულად ი-ში შევიდნენ ინგლ. ჯარებიც, ხოლო 1942 ბოლოს ამერ. ჯარის ნაწილები (ომის დამთავრების შემდეგ მოკავშირეებმა თავისი ჯარები გაიყვანეს ი-იდან). 1941 წ. 16 სექტ. რეზა-შაჰი ტახტიდან გადადგა. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი *მოჰამედ რეზა ფეჰლევი*. 1942 წ. 29 იანვ. ი-მა ხელი მოაწერა სსრკ-თან და ინგლისთან კავშირის ხელშეკრულებას. 1941 ოქტ-ში შეიქმნა *ირანის სახალხო პარტია* (ისპ), რ-იც აერთიანებდა მუშათა, გლეხთა, დემოკრ. ინტელიგენციის ფართო ფენებს. 1943 წ. 9 სექტ. ი-მა ომი გამოუცხადა გერმანიას, მაგრამ საომარ მოქმედებაში არ მონაწილეობდა. აშშ-მა, თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ი-ში კონტროლი დააწესა საბჭრ. ი-ის პორტებსა, რკინიგზებსა და საავტ. გზებზე; გააგზავნა თავისი მრჩევლები არმიაში, პოლიციაში, ჟანდარმერიაში. 1945—46 ი-ის აზერბაიჯანსა და ი-ის ქურთისტანში განვითარდა დემოკრ. მოძრაობა, შეიქმნა ავტონ. ადგილ. დემოკრ. მთავრობები, რ-ებმაც გაატარეს მთელი რიგი პროგრ. დემოკრ. გარდაქმნები. დაიწყო ანტიფეოდ., დემოკრ., ანტიიმპერიალ. მოძრაობა ი-ის სხვადასხვა რ-ნსა და ოლქში. გაიზარდა დემოკრ. პროფკავშირებისა და ისპ-ის ავტორიტეტი. ყავამ-ეს-სალთანეს მთავრობა, რ-იც ხელისუფლების სათავეში მოექცა, 1946 იანვარში გამოეიდა დეკლარაციით დემოკრ. გარდაქმ-

ირანი. ბრძოლა ოსმალეთის სულთან სელიმ I-ის ჯარსა და ირანის შაჰ ისმაილის ყიზილბაშთა ლაშქარს შორის ჩალდირანის ველზე 1514 წ. 23 აგვისტოს. სურათი ჩეპელ-სოთუნის სასახლეში. ისპაანი.

ნებისა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების შესახებ. ამავე დროს მიმდინარეობდა მზადება დემოკრ. მოძრაობის გასანადგურებლად; შეიქმნა ე. წ. დემოკრ. პარტია, რ-მაც გააერთიანა რეაქციული ძალები, შეიქმნა მთავრობის „ყვითელი“ პროფკავშირები. ყავამ-ეს-სალთანეს მთავრობამ 1946 ბოლოს ჩაახშო დემოკრ. მოძრაობა ი-ის აზერბაიჯანში, ქურთისტანში და ი-ის სხვა ოლქებში. ი-ში განმტკიცდა ამერ. პოზიციები, რ-საც სურდა ი-ის სამხ. პლაცდარმად გადაქცევა, შუა აღმოსავლეთში ანტისაბჭ. ბლოკის შექმნა, ი-ის დაკავშირება თურქეთთან, საადაბადის პაქტის აღდგენა და სსრკ-ის წინააღმდეგ მისი გამოყენება. აშშ სულ უფრო მეტად ერეოდა ი-ის საშინაო საქმეებში. ისპ-ის მეთაურობით დემოკრ. ძალები იბრძოდნენ ინგლ.-ამერ. მიერ ი-ის დაკაბალების წინააღმდეგ. 1948 დაიწყო აქტ. გამოსვლები ინგლ.-ირან. ნავთობის კომპანიის წინააღმდეგ, რასაც მთავრობამ მკაცრი რეპრესიებით უპასუხა. 1949 გადაისინჯა კონსტიტუცია (შაჰის უფლებები გაფართოვდა, ხალხის კონსტ. უფლებები შეიკვეცა), მოიწვიეს სენატი. 1950—51 ი-ში გაიშალა ინგლ.-ამერ. წინააღმდეგ მიმართული სახ. მოძრაობა. 1950 შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა ი-ის საზ-ბა, რ-საც სათავეში ჩაუდგა მალიქ ალ-შუარა ბაჰარი. ი-ის მეჯლისმა 1951 წ. 15 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ნავთობის მრეწვ. ნაციონალიზაციის შესახებ. 1951 წ. 29 აპრ. ჩამოყალიბდა მთავრობა ეროვნ. ფრონტის (შეიქმნა 1949) ლიდერის მ. *მოსადეყის* მეთაურობით. 1951 ოქტიდან ი-ის მთავრობამ ნავთობის სარეწებიდან განდევნა ყველა ინგლ. სპეციალისტი. იმპერიალისტების ინტრიგების შედეგად 1952 წ. 16 ივლ. მოსადეყი გადააყენეს. პრემიერად დაინიშნა ა. ყავამი, რამაც გამოიწვია დიდი სახ. საპროტესტო გამოსვლები თეირანში და დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასა და ჯართან. ყავამი იძულებული გახდა 1952 წ. 21 ივლ. გადამდგარიყო, 22 ივლ. მოსადეყი კვლავ პრემიერი გახდა. 1952 წ. 22 ოქტ. მან გაწყვიტა დიპლ. ურთიერთობა ინგლისთან და ი-იდან გაასახლა ინგლ. ყველა წარმომადგენელი. 1953 წ. 19 აგვ. ი-ის რეაქციულმა სამხ. წრეებმა სახელმწ. გადატრიალება მოაწყვეს. პრემიერ-მინისტრი გახდა გადატრიალების ხელმძღვანელი გენ. ზაჰედი. პროგრ. ორგანიზაციები და გაზეთები დაარბიეს, დემოკრ. მოღვაწეებს სასტიკად გაუსწორდნენ. 1953 დეკ-ში აღადგინეს დიპლ. ურთიერთობა ინგლისთან. 1954 ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ი-ის მთავრობასა და ნავთობის საერთაშ. კონსორციუმს შორის, რითაც გაიზარდა ი-ის დამოკიდებულება უცხ. კაპიტალსა და იმპერიალ. სახელმწიფოებზე. 1955 ი. შეუიდა აგრესიულ ბაღდადის პაქტში (1959-იდან — სენტო). 1955 ბოლოს დამტკიცდა კანონი ი-ში უცხ. კაპიტალის მოზიდვის შესახებ. უცხ. კომპანიებს მისცეს ნავთობის

ირანი. ბახთიართა ტომების ბანაკი ისპაანის ახლოს 1905 — 11 წწ. ირანის რევოლუციის დროს. 1909 წ. მაისი—ივნისი.

ახ. კონცესიები. 1960—61 ფართოდ გაიშალა ი-ის ხალხთა მასების ბრძოლა ქვეყნის დაკაბალების წინააღმდეგ. 1960 მოღვაწეობა განაახლა ეროვნ. ფრონტმა, რ-მაც მოითხოვა ეროვნ. დამოუკიდებლობის პოლიტიკის გატარება, სენტოდან გამოსვლა, ნავთობის საერთაშ. კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულების გადასინჯვა, მეჯლისის საყოველთაო არჩევნების ჩატარება, სოც. რეფორმების განხორციელება, ეკონ. და პოლიტ. კრიზისის დაძლევის მიზნით, 60-იანი წწ. დამდეგიდან მთავრობა შეუდგა რიგი სოც.-ეკონ. რეფორმების გატარებას, რაც ი-ში ცნობილია „თეთრი რევოლუციის“ სახელწოდებით. „თეთრი რევოლუციის“ უმთავრეს პუნქტს წარმოადგენდა მიწის რეფორმის კანონი, რ-იც მთავრობამ ჯერ კიდევ 1962 წ. 9 იანვ. დაამტკიცა. პრომემამულური და ანტიგლეხური ხასიათის გამო რეფორმას არ შეეძლო გადაეწყვიტა აგრ.-გლეხური საკითხი. მან მხოლოდ მოშალა ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთები, არსებითია შეასუსტა ნახევრად ფეოდ. მსხვილი მემამულეების ეკონ. ძლიერება და პოლიტ. გავლენა, ხელი შეუწყო კაპიტ. ურთიერთობის განვითარებას. 1963 დეკ. თეირანში შეიქმნა ახ., ბურჟ.-ნაციონალისტური, პრომონარქისტული პარტია „ირანე ნოვინი“ („ახალი ირანი“). საბჭ. მთავრობა ყოველთვის ცდილობდა ი-თან ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაგრამ ეყბალის მთავრობამ (1957—60) 1959 თებ. ჩაშალა საბჭ. კავშირ-ი-ის მოლაპარაკება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. 1959 წ. 5 მარტს ი-მა ხელი მოაწერა აშშ-თან ორმხრივ სამხ. შეთანხმებას. 1962 წ. 15 სექტ. სსრკ-ისა და ი-ის მთავრობების ნოტების გაცვლამ და ი-ის მთავრობის ოფიც. დასტურმა, რომ არც ერთ უცხო სახელმწიფოს არ მისცემს უფლებას რაკეტული ბაზები იქონიოს ი-ის ტერიტორიაზე, არ დაუშვებს ი. აგრესიის იარაღად გადააქციონ სსრკ-ის წინააღმდეგ, ხელი შეუწყო ი-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას. 1963 ი-მა ხელი მოაწერა მოსკ. ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმ. სივრცესა და წყალქვეშ ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. 1963—72 ი-მა და სსრკ-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ეკონ., სამეცნ., კულტ. თანამშრომლობის, საწარმოო-ტექ. სწავლების შესახებ და სხვ. სსრკ-ის მონაწილეობით განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საწარმოო და სხვა ობიექტების მშენებლობა.

1975 ი. გახდა გაეროს განიარაღების კომიტეტის წევრი. თებ-ში მოხდა მთავრობის რეორგანიზაცია, პირველად შემოიღეს ქალთა საქმეთა სახელმწ. მინისტრის პოსტი. ოპოზიციური ძალების ყოველგვარი წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით, შაჰის ბრძანებით, 1975 აპრილში შემოიღეს ერთპარტიული სისტემა, შეიქმნა ბურჟ.-ნაციონალისტური ირანის ეროვნ. აღორძინების პარტია. მასში შეიდა ყველა მანამდე არსებული ლეგალური პარტია და ბოლიტ. დაჯგუფება (პარტია დაიშალა 1978 სექტ. ხალხის რევ. გამოსვლების შედეგად). 1976 ი. კვლავ აქტიურად მონაწილეობდა სენტოში და ასრულებდა აშშ-თან ორმხრივი სამხ. შეთანხმების ვალდებულებებს, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ი-ის პოზიციების განმტკიცებასა და გავლენის გაფართოებას სპარს. ყურეში. შაჰის მთავრობა ქვეყნის საშინაო და საგარეო ბოლიტიკას სულ უფრო უმორჩილებდა ამერიკის იმპერიალ. წრეების დიქტატს. ი. ფაქტობრივად ამერიკის ჟანდარმის ფუნქციებს ასრულებდა ახლო აღმოსავლეთში. ეროვნ. შემოსავლის დიდი ნაწილი ძვირადღირებულ შეიარაღებაზე იხარჯებოდა. ამ შემოსავალზე ხელს ითბობდნენ აგრეთვე შაჰი, მისი კამარილია, კომპრადორები და უცხ. მონოპოლიები. „თეთრმა რევოლუციამ“ ხალხის ფართო მასებს დაპირებების გარდა ა[illegible] სებითად არაფერი მისცა. ქვეყანაში ტერ[illegible]რი და რეპრესიები მძვინვარებდა. 197[illegible] დამდეგს ქ. ყუმში დაიწყო სახალხო მღელ[illegible]ვარება, რ-იც მალე მთელ ქვეყანას მოედ[illegible] და ანტიმონარქისტულ, ანტიიმპერიალ[illegible]ტურ სახ.-დემოკრ. რევოლუციაში გადა[illegible]ზარდა. რევ. მოძრაობაში საზ-ბის თით[illegible]მის ყველა კლასი და ფენა — მუშები, გლ[illegible]ხები, წვრილი და საშუალო ბურჟუაზი[illegible] წარმომადგენლები, ინტელიგენცია, მო[illegible] წავლე და სტუდენტი ახალგაზრდობ[illegible]. შიიტური რელიგიის კულტის მსახურნი[illegible] მონაწილეობდა. სექტემბერში შაჰის რეჟ[illegible]მისა და იმპერიალისტების საწინააღმდეგ[illegible] დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა ფართ[illegible]ხასიათი მიიღო თეირანსა და ქვეყნის ბევ[illegible]დიდ ქალაქში (ისპაანი, თავრიზი, შირ[illegible]ზი, მეშჰედი, ქერმანშაჰი და სხვ.). 8 სექ[illegible] დედაქალაქსა და 11 სხვა ქალაქში სამ[illegible] წესები გამოცხადდა. არმიასა და პოლიც[illegible] ასთან შეტაკებებში ათასობით მშვიდობიან[illegible] დემონსტრაციის მონაწილე დაიღუპა. გ[illegible] ყოლამ რეზა აზჰარის სამხედრო მთავრ[illegible]ბა შეეცადა არმიის ნაწილების მეშვეობ[illegible] რევ. მოძრაობა სისხლში ჩაეხშო. გაა[illegible]ურდა ამერ. ცენტრ. სადაზვერვო სამმა[illegible] თველო და ი-ის საიდუმლო პოლიცია ([illegible]ვაქი). მაგრამ მალე რეაქციის ვარაუ[illegible] ჩაიშალა. რევოლუციურმა სულისკვეთებ[illegible] არმიის ნაწილებშიც იჩინა თავი. შა[illegible] და მისმა მომხრეებმა ოპოზიციის რიგებ[illegible] გათიშვა სცადეს. 1979 იანვ. დამდეგს პრ[illegible] მიერად დაინიშნა ოპოზიციური პარტი[illegible] „ირანის“ ერთ-ერთი ლიდერი შაჰფუ[illegible] ბახთიარი. ამასთან ერთად პროპაგანდ[illegible]ტული ხმაური ატეხეს ე. წ. „წითელი რ[illegible]ვოლუციის“ მოსალოდნელ საფრთხეზ[illegible] 16 იანვ. შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი ვ[illegible] თომდა სამკურნალოდ და დასასვენებლ[illegible] მალულად უცხოეთში გაემგზავრა. 1 თვ[illegible] საფრანგეთიდან ი-ში დაბრუნდა ქვეყნ[illegible]დან დიდი ხნის განდევნილი ოპოზიცი[illegible] ლიდერი, რევ. მოძრაობის ხელმძღვან[illegible]ლი, რელიგ.-პოლიტ. მოღვაწე აიათოლ[illegible] ხომეინი. 30—31 მარტს გაიმართა საე[illegible]თო-სახ. რეფერენდუმი, რ-ის მონაწილეე[illegible] აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი და[illegible] ჭირა ქვეყანაში რესპუბლიკური მმარ[illegible] ველობის შემოღებას. 1. აპრ. ი. ისლამ[illegible] რესპუბლიკად გამოცხადდა. 1980 იანვ-[illegible] ი-ის პრეზიდენტად აირჩიეს ა. ბანის[illegible]დრი.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., შუა ს[illegible] კუნძეების ახლოაღმოსავლური ქალაქი (პერი[illegible] დიზაციის ცდა), კრ.: ნარკვევები მახლობელ[illegible] აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, [illegible] 2, თბ., 1970; ბ ე ბ ე ნ ა ძ ე ო., ირანი, თ[illegible] 1979; კ უ ტ ი ა კ., სეფიანთა ირანის [illegible]ლაქები და საქალაქო ცხოვრება, ვაჭრ[illegible]ბა, საქალაქო გადასახადები, თბ., 1966; ნ[illegible] კვეები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორ[illegible] იდან (ფეოდალური ხანა), ვ. გაბაშვილის რ[illegible] თბ., 1957; შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ზ., ირა[illegible] XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 197[illegible] შ ე ნ გ ე ლ ი ა ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდ[illegible] დროს, თბ., 1973; Б а р т о л ь д В. В[illegible] Соч., т. 1—7, М., 1961—71; Д ь я к о н о[illegible] М. М., Очерк истории Древнего Ира[illegible] М., 1961; И в а н о в М. С., Очерк истор[illegible] Ирана, М., 1952; История Ирана, М., 197[illegible] История Ирана с древнейших времен [illegible] конца XVIII в., Л., 1958; П е т р у ш е в [illegible] к и й И. П., Земледелие и аграрные отн[illegible] шения в Иране XIII—XIV вв., М.—Л. 196[illegible] м о л с к и й, Ислам в Иране, [Л.], 196[illegible] С т р у в е В. В., История Древнего Во[illegible] тока, М., 1941.

დ. კაციტაძ[illegible]

VI. პოლიტიკური პარტიები

ი რ ა ნ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო პ ა რ ტ ი[illegible] შეიქმნა 1941. 1949 გამოაცხადეს კანონ[illegible] გარეშე. 1978—79 ანტიმონარქისტული [illegible] ანტიიმპერიალ. რევ. გამარჯვების შემდ[illegible] ლეგალურ მუშაობაზე გადავიდა. ე რ ო ნ უ ლ ი ფ რ ო ნ ტ ი, პოლიტ. ორგანიზ[illegible]ცია შეიქმნა 1949. ხელმძღვანელი ორგ[illegible] ნო—აღმასკომი.

I. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. II ოფლიო ომამდე ი. აგრ. ქვეყანა იყო. ფ. მეურნეობაში ბატონობდა ფეოდ. ნახევრად ფეოდ. ურთიერთობები. ამე მრეწველობიდან განვითარებული ო მხოლოდ ნავთობის მოპოვება, რ-იც ზოეთის კაპიტალს ეკუთვნოდა. მსუბუქი ეწვ. დარგებიდან შედარებით უფრო ვითარებული იყო საფეიქრო და კვების ეწველობა. წარმოების დონე უაღრესად ბალი იყო, ჭარბობდა წვრილი მანუქტურული და შინამრეწველური საწარ-ები.

1960-იანი წლებიდან დაჩქარდა ი-ის რარულიდან აგრ.-ინდუსტრ. ქვეყნად დაქცევის პროცესი. განვითარდა სალმწ. სექტორი, აშენდა მძიმე მრეწვ. დი საწარმოები (მეტალ., მანქანათსაშ.). ვესტირების მაღალმა დონემ, მთელი ვი სოც.-ეკონ. რეფორმების გატარებამ, შინაო ბაზრის გადიდებამ განაპირობა ონ. ზრდის სწრაფი ტემპი, რითაც ი. თ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდა ნვითარებად ქვეყნებს შორის. ამასთან, ოლო ხანს მკვეთრად გაიზარდა საშხ. ხარ-ბი, მოსახლ. ფენებად დაყოფა, ქვეყნის ონომიკაში ღრმად შეიჭრა ამერ. კაპი-ლი. მასიურმა გაფიცვებმა 1978 მეორე ხევარში პრაქტიკულად მოშალა ი-ის ონ. ცხოვრება. წლის ბოლოსათვის მუ-ობა შეაჩერა სამრეწვ. საწარმოების, ნკების, სავაჭრო ფირმების დიდმა ნა-ლმა. თითქმის მთლიანად შეწყდა ნავთ-ისა და აირის მოპოვება და ექსპორტი. 78 ინფლაციის ზრდის ტემპმა დაახლ. % შეადგინა.

სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონ. მნიშ-ელოვანი დარგია. 1960-იანი წწ. დასა-ისში მემამულეებს ეკუთვნოდა მთელი მუშავებული მიწის თითქმის 70%, გლე-ებს — დაახლ. 15%, დანარჩენი — სახელ-იფოს, სამღვდელოებასა და სხვ.; მიწათ-რგებლობის მთავარი ფორმა იყო წი-ობრივი ოჯახი. აგრ. რეფორმის გატა-ების შედეგად პრაქტიკულად ლიკვიდი-ბულია დიდი ფეოდ.-მემამულური მი-თმფლობელობა. მემამულეთა მიწების წილი შეისყიდა სახელმწიფომ და მიპ-და გლეხებს სესხის ნაწილ-ნაწილ გადახ-ს პირობით. შეიქმნა სას.-სამ. კოოპე-ტივები, საწარმოო სას.-სამ. სააქციო ხ-ბები. 1968 მიიღეს კანონი წყლის აროების ნაციონალიზაციის შესახებ, ყრამ უმრავლეს შემთხვევაში ჭები და ლის მიმწოდებელი ნაგებობები დარჩა ი ძვ. მფლობელთა საკუთრებად. წყალ-მარაგების გასაუმჯობესებლად მთავრო-ბ ააშენა დიდი კაშხლები და სხვა სა-გაციო ნაგებობები. აგრ. რეფორმამ ბიული მისცა სას.-სამ. წარმოების ტექ. ნის ამაღლებას. 1975 ი-ში ფუნქციო-რებდა 60-ზე მეტი აგრ.-სამრეწვ. კომპ-ექსი, მ. შ. 10-ზე მეტი — უცხ. კაპიტა-ის მონაწილეობით. 1977/78 ი-ში იყო) ათ. კოოპერატივი, რ-შიც შედიოდა 8 მლნ. წევრი. 1978 იყო 153 კოოპ. კავ-რი და 98 სააქციო სას.-ხამ. საზ-ბა.

სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მიწათ-ქმედება. მის წილად მოდის სოფ. მე-ნ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. %. მთავარი სასურსათო კულტურაა რბალი (3896 ათ. ტ, 1977/78), რ-საც ელი ნათესი ფართობის დაახლ. 60% ირავს. ხორბლის მთელი მოსავლის თქმის ნახევარს იძლევა ქვეყნის ჩრდ.-ს. და ჩრდ.-აღმ. ნაწილი, აქვე მოჰყავთ ბი (1130 ათ. ტ, 1977/78). ბრინჯის მო-ელის (753 ათ. ტ, 1977/78) 80%-ზე ბი მოდის კასპიისპირა რ-ნებზე, პარ-ანების მოსავლის 50%-ზე მეტი—ქვეყ-ს ჩრდ. ნაწილსა და ისპაანზე. თითქმის ელგან განვითარებულია მებალეობა (ცი-უსები, გარგარი, ატამი, ლეღვი, ფსტა, რმა, კომში, ბროწეული და სხვ.), მე-ვენახეობა, მებოსტნეობა და მებაღეობა. ბამბის (531 ათ. ტ ნედლი ბამბა, 1977/78) დაახლ. 2/3 მოჰყავთ კასპიისპირა პრო-ვინციების აღმ. ნაწილსა და ხორასანში. შაქრის ჭარხალს (3612 ათ. ტ, 1977/78) აშენებენ ქვეყნის ბევრ რ-ნში, შაქრის ლერწამს — ქვეყნის სამხრ.-დას. და კას-პიისპირა რ-ნებში. მოჰყავთ აგრეთვე ჩაი და თამბაქო, უმთავრესად გილანსა და მა-ზანდარანში.

მეცხოველეობაში წამყვანია ექსტენსი-ური მომთაბარე მესაქონლეობა (ხორასანი, ქურთისტანი, ლურისტანი, ხუზისტანი და სხვ.). 1977/78 ი-ში იყო (მლნ. სული): ცხვარი — 31,9, თხა —14, მსხვ. რქ. სა-ქონელი — 5,3. ცხენი და ჯორი—0,4, ვი-რი — 1,8, შინაური ფრინველი —64,2 მლნ. ფრთა. გილანსა და ნაწილობრივ მაზანდა-რანში განვითარებულია მეაბრეშუმეობა. მისდევენ თევზჭერას. კასპიის ზღვაში იჭე-რენ სვიას, ტარალანას, ზუთხს, ფორეჯს, ფარგას, სპარსეთის ყურეში — ქაშაყს, აგ-როვებენ მარგალიტს.

მრეწველობა. 1950-იანი წწ. II ნახევ-რიდან ნავთობის მოპოვების სწრაფ ზრდასთან ერთად ინტენსიურად განვითარდა სამრეწვ. წარმოება. შეიქმნა ახ. დარგები, აშენდა მოხმარების საგნების (მაცივარი, ტელევიზორი, რადიომიმღები) საწარმოები. განვითარდა ტრად. დარ-გებიც (საფეიქრო, კვების და სხვ.). ი-ში რიცხობრივად ჭარბობს წვრილი, ნა-ხევრად შინამრეწველური ტიპის საწარმო-ები. სახელმწ. სამრეწვ. საწარმოთა 1/3-ზე მეტი კონცენტრირებულია ცენტრ. ოსტა-ნებში.

ნავთობის მოპოვებით (255 მლნ. ტ, 1978) ი. III ადგილზეა კაპიტალ. სამყა-როში (საუდის არაბეთისა და აშშ-ის შემ-დეგ). მოპოვებული ნავთობის დიდი ნაწილი გაჰქონდა აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, ნიდერლანდს, საფრანგეთს. იღებენ აირს (59,5 მლრდ. $მ^3$, 1978). 1970 დამ-თავრდა (სსრკ-ის ტექ. თანამშრომ-ლობით) ტრანსირანის აირსადენის გაჩ-სარან—ასტარის მშენებლობა, რამაც შესაძ-ლებელი გახადა აირის ექსპორტი სსრკ-ში (9,2 მლრდ. $მ^3$, 1977/78) სამთომოპო-ვებითი მრეწვ. სხვა დარგები სუსტად არის განვითარებული.

ი-ში 470-ზე მეტი ელექტროსადგურია, რ-თა უმრავლესობა მცირე სიმძლავრისაა და კერძო პირებს ეკუთვნის.

დამუშავებით მრეწველობაში ტრად. დარგებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობგადასამუშ. მრეწველობას (38,9 მლნ. ტ ნავთობი, 1977/78), რ-ის ცენ-ტრებია აბადანი, თეირანი და ქირმანშა-ჰი. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბაზა-ზე განვითარდა ქიმ. და ნავთობქიმ. მრეწ-ველობა. ნავთობქიმ. კომპლექსებია აბა-დანში, კ. ხარქზე, ბენდერ-შაჰფურში. კვე-ბის მრეწვ. დარგებიდან უმეტესად განვი-თარებულია შაქრის მრეწველობა. შაქრის დაახლ. ნახევარს აწარმოებენ ხორასნის ოსტანში. საფქვავ და ბრინჯსაცეხვ მრეწ-ველობაში ჭარბობს წვრილი საწარმოები. 1960-იან წლებში განვითარდა მცენარე-ული ზეთის, ძეხვის, მაკარონის, ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება. ჩაის დაახლ. 90%-ს აწარმოებენ გილანის ოსტანში. თიფქმის ყველგან ამ-ზადებენ ხმელ ხილს.

მრეწვ. ყველაზე განვითარებული ტრად. დარგია საფეიქრო მრეწვ., რ-ის მთავარი ცენტრებია ისპაანი, იეზდი, თეირანი. ქვეყნის შიგა რ-ნებში დიდი ადგილი ეთ-მობა შინამრეწველობას. ფართოდაა გაერ-ცელებული ხალიჩების ხელით ქსოვა. დიდი მნიშვნელობა მოიპოვა საშენ მასა-ლათა, უმთავრესად ცემენტის, წარმოებამ. მრეწვ. ახ. დარგებიდან გამოირჩევა შავი მეტალურგია, მანქანათმშ. და ლითონდა-მუშავება. სსრკ-ის მონაწილეობით ისპა-ანის მახლობლად აშენდა პირველი დიდი მეტალ. ქ-ნა. ფოლადსაგლინი ქ-ნებია აჰ-



ირანი. ნავთობქიმიური კო-მპლექსი. ბენდერ-შაპფური.

ვაზში, ალუმინის ქ-ნა — არაქში. მანქა-ნათმშ. და ლითონდამუშავების ყველაზე განვითარებული დარგია ავტომობილების აწყობა, რ-ის ცენტრია თეირანი და მისი მიდამოები, მანქანათსაშ. ქ-ნებია არაქში და თავრიზში, ტრაქტორებსა და დიზელის ძრავებს აგებენ თავრიზში. მრეწვ. პრო-დუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

ცხრ. 1. — მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1948/49	1962/63	1977/78
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ·სთ*) . .	—	0,7	19,0
ავტომობილი (ათ. ც.)	—	3,0	203,2
რადიომიმღები და ტელევიზორი (ათ. ც.)	—	10,0	469
მაცივარი (ათ. ც.)	—	1,0	570
ცემენტი (მლნ. ტ)	0,1	0,7	7,2
შაქარი (ათ. ტ)	35,0	211,0	620
ბამბისა და სინთეზური ბოჭკოსაგან დამზა-დებული ქსოვილი (მლნ. *მ*)	30,0	304,0	450
შალის ქსოვილი (მლნ. *მ*)	. . .	3,2	19,7

ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 4,5 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა—50 ათ. *კმ*-ზე მეტი, აქედან 16 ათ. *კმ* მოასფალტებულია. 1978 ავტოპარკში იყო 1,9 მლნ. ავტომო-ბილი. საგარეო-სავაჭრო ტვირთბრუნვა-ში მთავარ როლს ასრულებს საზღვ. ტრანს-პორტი. ტვირთის დაახლ. 80% მოდის ნავსადგურებზე ხორამშაჰრსა და ბენდერ-შაჰფურზე. საერთაშ. მნიშვნელობის აერო-პორტებია თეირანში, აბადანში, ბენდერ-აბასსა და შირაზში.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1977/78 ი-ის ექსპორტმა (ნავთობის, ნავ-თობპროდუქტებისა და აირის გამოკლე-ბით) შეადგინა 523 მლნ. დოლ., იმპორტ-მა — 14124 მლნ. გააქვო ნავთობი, აირი, ბამბა, ხილი, ხალიჩები და სხვ. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, შავი ლითონები და მათი ნაწარმი. მთავარი კონტრაჰენ-ტები იყვნენ: ექსპორტში — სსრკ, გფრ, იტალია, ერაყი, საუდის არაბეთი; იმპორტ-ში — გფრ, იაპონია, აშშ, დიდი ბრიტანე-თი, იტალია, საფრანგეთი.

ლიტ.: კიკნაძე ო., ირანი. (ისტო-რიულ-პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ნარკვევები), თბ., 1979; ნაჭ-

ირანი. მეტალურგიული ქა-რხანა ისპაანის მახლობ-ლად.





ირანი. კაშხალი მდ. ქარაჯზე.

ყ ვ ბ ი ა ნ., ირანი. ეკონ.-გეოგრ. ნარკვევი, თბ., 1972; П о б е д и н а М. П., С м и р н о в В. П., Ц ы б у л ь с к и й В. В., Экономическая география стран Ближнего и Среднего Востока, М., 1969.

VIII. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1968 შობადობა 1000 მცხოვრებზე 38,9 შეადგენდა, საერთო სიკვდილიანობა (1969) — 6,1, ბავშვთა სიკვდილიანობა — 55,4 ყოველ 1000 ცოცხლად შობილზე. სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა იყო 40 წელი.

ძალზე გავრცელებულია ინფექციური დაავადებანი, განსაკუთრებით მალარია, ხშირია ტუბერკულოზითა და კუჭ-ნაწლავის ინფექციებით გამოწვეული სიკვდილ.ი. გავრცელებულია ტრაქომა, მუცლის ტიფი, პარატიფი, დიზენტერია, გონორეა, ათაშანგი, ტკიპისმიერი სპიროქეტოზი, ბავშვთა ინფექციები. პარაზიტული დაავადებებიდან ენდემურია მალარია (იმ ტერიტორიაზე, რ-ზედაც მოსახლ. 83% ცხოვრობს), კანისა და ვისცერული ლეიშმანიოზი, ანკილოსტომიდოზი, ასკარიდოზი, ტრიქოცეფალოზი, გვხვდება ჯდილეხი. ქურთისტანში არის შაი ჭირის ბუნებრივი კერები. 1968 ი-ში იყო 433 საავადმყოფო 31 ათ. საწოლით (1,1 საწოლი 1000 მცხ.). საავადმყოფოსგარეშე დახმარებას (1965) მოსახლეობას უწევდა საავადმყოფოების 300 პოლიკლინიკური განყ-ბა და 700 დისპანსერი. 1969 მუშაობდა 9,9 ათ. ექიმი (1 ექიმი 3,5 ათ. მცხ.), 190 ათ. ექიმის თანაშემწე, 1,5 ათ. კბილის ექიმი, 2,7 ათ. ფარმაცევტი, 1 ათ. ბებიაქალი და 2,2 ათ. მედდა. მნიშვნელოვანი წვლილი საავადმყოფოსგარეშე დახმარებაში შეაქვთ კერძო ექიმებს. სამედ. კადრებს ამზადებენ უნტები, აგრეთვე საშ. სპეც. სამედ. სასწავლებლები. 1963 ი-ში აიკრძალა ოპიუმის წევა.

ირანი. მიპრაბი. პეიდარიეს მეჩეთი. ყაზვინი. XII ს. დასაწყისი.

IX. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

XX ს-მდე ი-ში ბატონობდა განათლების შუა საუკ. რელიგ. სისტემა. მთავრობამ რამდენჯერმე გამოსცა კანონი (1927, 1943) საყოველთაო უფასო დაწყ. განათლების შესახებ. ამის მიუხედავად, მოსახლ. უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მთელი ყურადღება წარიმართა გაუნათლებლობის ლიკვიდაციის, დაწყ. სკოლების გამყარების, პროფტექ. და უმაღლესი განათლების გაფართოებისაკენ. 1968 რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა სახ. განათლების ახ. სისტემა: 5-წლიანი საავალდებულო დაწყ. სკოლა, ორსაფეხურიანი 6-წლიანი არასავალდებულო ფასიანი საშ. სკოლა. 1978 წ. 24 ათ-მდე დაწყ. სკოლაში სწავლობდა 2,9 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, 2,3 ათ-მდე საშ. სკოლაში—900 ათ-მდე მოსწავლე. 2—3-წლიანი პროფტექ. სასწავლებლები მუშაობდა საშ. სკოლის I საფეხურის ბაზაზე. 1978 წ. 190-მდე პროფსასწავლებელში სწავლობდა 23 ათ-ზე მეტი მოსწავლე. სსრკ-ის დახმარებით ი-ში ორგანიზებული იყო ტექ. კადრებისა და კვალიფიციური მუშათა მოსამზადებელი ცენტრები (1968—ისპაანში. 1971—თავრიზსა და არაქში). დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებდა 2-წლიანი პედ. სასწავლებლები საშ. სკოლის I საფეხურის ბაზაზე, საშ. სკოლის მასწავლებლებს — თეირანის უნ-ტთან არსებული პედ ინ-ტი. 1978 წ. 130-ზე მეტ პედ.სასწავლებელსა და პედ. ინ-ტში სწავლობდა 9 ათ-მდე სტუდენტი. ი-ში იყო თეირანის (დაარსდა 1934), ი-ის ეროვნ. (1960), ინდუსტრ. „არიამეჰრი" (1966) თეირანში, შირაზის (დაარსდა 1945), მეშჰედის (1955), ისპაანის (4 კოლეჯი, დაარსდა 60-იან წლებში), თავრაზის (1946), აჰვაზის (1955) უნ-ტები. იყო აგრეთვე ტექ. ინ-ტი თეირანში, ნავთობის ინ-ტი აბადანში, სას.-სამ. ინ-ტი ქარაჯში და სხვ 1978 წ. 75 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 75 ათ-ზე მეტი სტუდენტი, ხოლო 30 ათ. ირანელი სწავლობდა საზღვარგარეთ.

ი-ის სამეცნ. დაწესებულებათა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა თეირანის უნ-ტს. მასთან შექმნილი იყო სამედ., ატომ ენერგიისა და სხვ. ცენტრები, აგრეთვე გეოგრ., გეოფიზ., ეკონ. კვლევის და სხვ. ინ-ტები. ზოგიერთი სამეცნ. პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობდნენ აშშ-ის, საფრ. და იაპ. მეცნიერები. ი-ში იყო აგრეთვე სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. ჰიგიენის, კიბოს დაავადებათა, კვების, ფარმაცევტული ინ-ტები. სას.-სამ. კვლევა მიმდინარეობდა სპეც. ცენტრებში (ქარაჯი, ისპაანი და სხვ.). სამეცნ. ცენტრები ჰქონდა ი-ის ეროვნ. ნავთობის კომპანიასა და სხვ. სულ ი-ში იყო 100-მდე სამეცნ. დაწესებულება, რ-ებსაც ხელმძღვანელობდა ი-ის სამეცნ.-კვლ. კომიტეტი (შეიქმნა 1967) და შედიოდა მეცნ. და უმაღლესი განათლების სამინისტროში. ი-ის მეცნ. განვითარებას აფერხებდა სამეცნ. კადრების უკმარისობა. 30-იანი წლებიდან საბჭ. და ირანელი მეცნიერები თანამშრომლობდნენ სას.-სამ. და სამედ. საკითხების დამუშავებაში. 1971 სსრკ-მა და ი-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის შესახებ. 1978-79 ანტიმონარქიული და ანტიიმპერიალისტური რევ. შედეგად ი-ის სახ. განათლებისა და სამეცნ. დაწესებულებათა სისტემები ძირეულ ცვლილებას განიცდის.

დიდი ბ-კებია: ეროვნული (დაარსდა 1935, 80 ათ. ტ.), უნ-ტების ბ-კები, იმამ რეზას მეჩეთის ბ-კა მეშჰედში (დაცულია უნიკალური წიგნები და ხელნაწერები) და სხვ. მნიშვნელოვანი მუზეუმებია: არქეოლ. (დაარსდა 1936), ეთნოგრ. (დაარსდა 1938), მუზეუმი გოლესთანის სასახლე თეირანში (დაარსდა 1894), „ფარსი" შირაზში (დაარსდა 1938).

X. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1979 ი-ში გამოდიოდა დაახლ. 100 გაზეთი და 80-ზე მეტი ჟურნალი. მნიშვნელოვანი გამოცემებია სპარს. ენაზე: ყოველდღიური გაზეთები — „ეთთელაათი" (1925-იდან, ტირაჟი 220 ათ. ც.), „ქეიჰანი" (1942-იდან, ტირაჟი 100 ათ. ც.), ყოველკვირეული ჟურნალები: „ხანდანიპა" (1939-იდან, ტირაჟი 30 ათ. ც.), „ფეიამე ნოვინი" (ყოველკვირეული ჟურნალი, გამოსცემს ირან-სსრკ-ის კულტ. კავშირის საზ-ბა) და სხვ. ი-ის სახელმწ. საინფორმაციო სააგენტო „ფარსი" დაარსდა 1934 თეირანში.

რადიოგადაცემები დაიწყო 1940-იდან, ტელეგადაცემები — 50-იანი წწ. ბოლოს. მთავრობის სამსახური—ი-ის ეროვნ. რადიო და ტელევიზია—შეიქმნა 1971 ი-ის რადიოსა და ეროვნ. ტელევიზიის შეერთების შედეგად.

XI. ლიტერატურა

ძ ვ. ს პ ა რ ს. მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ნიმუშებად მიჩნეულია აქემენიდთა ლურსმული წარწერები და ზოროასტრული მოძღვრების წმინდა წიგნი *აკესტა*. ს ა შ. ს პ ა რ ს. ე. წ. *ფალაური ლიტერატურა* სასანიანთა ეპოქას (III—VII სს.) განეკუთვნება. ჩვენამდე მოღწეულ ძეგლთგან აღსანიშნავია საგმირო ეპოსი („ზარერის იადგარი"), სარაინდო რომანი („არდაშირ პაპაკის საქმეთა წიგნი"), დიდაქტ. კრებულები („ანუ-შირვანის დარიგებათა წიგნი") და სხვ. მრავალი თხზ. დაიკარგა და მხოლოდ სათაურები შემორჩა წყაროებს. ა ხ. ს პ ა რ ს უ ლ ი ლ ი ტ-რ ა სპარს. (ფარსი-დარი) ენაზე ჩაისახა IX ს-ში, დღევანდელი შუა აზიის ტერიტორიაზე. მის განვითარებაში თანაბრად მონაწილეობდნენ დას. და აღმ. ირანული ეთნ. ჯგუფები. ამდენად ამ ლიტ-რას ხშირად სპარსულ-ტაჯიკურს უწოდებენ. ახ. სპარს. კლასიკური ლიტ-რის აღორძინებას ხელი შეუწყო დამოუკიდებელი ირან. დინასტიების აღზევებამ (IX—X სს-ში). შეიქმნა პირველი პოეტური კრებულები (დივანები), რ-თაგან მხოლოდ ცალკეულმა ფრაგმენტებმა მოაღწია ჩვენამდე ლექსიკონებსა თუ *ანთოლოგიებში* (ანთოლოგიებში) გაბნეული ციტატების სახით, თუმცა ეს ფრაგმენტებიც ცხადყოფს ჰ.ნზ.ლა ბადღისის, ფირუზ მაშრიყის, აბუ სალიქ გორგანის, *შაჰიდ ბალხის*, ქესაის ხოსრეანის, *დაყიყისა* და სხვათა მაღალ პოეტურ ოსტატობას. დაიხვეწა სპარსული თუ არაბულიდან ნასესხები და ირან. ტრადიციების მიხედვით შეცვლილი სალექსო ფორმები (ლირ. *ღაზალი*, სახოტბო *კასიდა*, მოკლე ფილოს. ყითა, ოთხსტროფოვნიანი დუბაითი და *რობაი*, ეპიკური *მასნავი*), რ-ებმაც მოირგეს ლექსთწყობის ახ. სისტემა არუზი (იხ. *არუდი*). ეს პროცესი ყველაზე სრულად გამოიხატა *რუდაქის* შემოქმედებაში. X ს. ლიტ-რის აღორძინების გვირგვინს წარმოადგენს ფირდოუსის „შაჰნამე". მან მისცა ბიძგი მთელ რიგ დამოუკიდებელ სარაინდო თხზულებებს (ასადი ტუსის „გერშასფნამე", ათაის „ბარზუნამე", მოხთარის „შაჰრიარნამე" და სხვ.). XI ს. დასაწყისიდან ღიტ. ცხოვრებამ ღაზნევიდთა დინასტიის კარზე გადაინაცვლა. წამყვანი ჟანრი სახოტბო კასიდა გახდა (უნსური, *ფარუხი მანუჩეჰრი*). ლირიკისა და საგმირო ეპოსის პარალელურად XI ს-ში განვითარდა რომანული ეპოსი (უნსურის სამიჯნური პოემები). ამ ჟანრის მწვერვალია ფახრალ-დინ *გორგანის* „ვისი და რამინი". ახ. საფეხურზე ავიდა რომანული ეპოსი *ნიზ.მი განჯეველის* შემოქმედებაში მისი „ხამსე" (ხუთი პოემის კრებ.) მიმბაძველთაგან ერთ-ერთი პირველი იყო ინდოეთში მცხოვრები სპარსულენოვანი პოეტი *ხოსროკ დეჰლევი*. თურქ-სელჩუკთა კრცელი იმპერიის ჩამოყალიბებამ გამოიწვია ლიტ. ცენტრების დაქსაქსვა. ამიერკავკასიაში, შირვანშაჰთა კარზე ჩამოყალიბდა მთელი სკოლა, რ-ის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სპარს. პოეზიის განვითარებაში (*აბუ ლ-ალა განჯეელი, ხაკანი შირვანი, ფალექი შირვანი*). XI ს-იდან მარტივი „ხორასნული" სტილი შეცვალა პოეტური ხერხებით დამძიმებულმა და გართულებულმა „ერაყულმა" სტილმ. აღსანიშნავია მეხოტბე პოეტები *მუიზი*, აბუ ლ-ფარაჯ რუნი, ამაყ ბუხარაი, ადიბ საბერი, თერმეზი და განსაკუთრებით ხაკანი შირვანი. კარის პოეტის მძიმე ხელფრს ასცდნენ *ომარ ხაიამი*, რ-იც თხზულდა მეამბოხე სულისკვეთებით გაჟღენთილ რობაიებს, და ნასირ ხოსროვი. ღმერთიან გატოლების გზით ადამიანური ღირსების ამაღლებას ისახავდა მიზნად სპარს. სუფიური პოეზია. მისი ადრინდ. წარმომადგენლები არიან აბუ საიდი (X—XI სს), *ბაბა თაჰერ ურიანი, ანსარი, სანაი* პოემა „ჭეშმარიტებათა ბაღი") და *ათარი* (პოემა „ფრინველთა საუბარი"). სუფიზმი ყველაზე მკვეთრად აისახა თურქეთში ცხოვრებული ჯალალ ალ-დინ *რუმის* ლაზა-

ირანი. ციხეფრი მეჩეთი. XV ს. ინტერიერის ფრაგმენტი. თავრიზი.

ლებსა და ენციკლოპედიური ხასიათის პოემაში „მასნავი“. მძიმე პერიოდში მოღვაწეობა თავის ხალხს ბრძენი მრჩეველი საადი შირაზი (დიდაქტიკური კრებ. „გულისტანი“ და „ბუსტანი“). საადის დიდი ღვაწლი მიუძღვის ლაზალის სრულქმნაში, მაგრამ. უმაღლეს საფეხურზე ეს საღექსო ფორმა ჰაფეზ შირაზმა აიყვანა. XIV—XV სს-იდან სპარს. პოეზიაში ეპიკონური ტენდენციები ისახება. მოტივთა განმეორება, პოეტური ხერხების ხელოვნური გართულება ხშირად შინაარსის გაღარიბებასა და გაბუნდოვნებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, დიდოსტატები მაინც ხერხებდნენ საკუთარი სიტყვის თქმას. აღსანიშნავია *ხაჯუ ქირმანის* „ხამსე“ და *ალმან საღეღის* ლაზალები და პოემები. იემურიდთა კარზე ჩამოყალიბდა ჰერათის ძლავრი ლიტ. სკოლა, რ-ის უდიდესი წარმომადგენელი და უკანასკნელი კლასიკოსია აბდ ალ-რაჰმან ჯამი (XV ს.).

კლასიკური სპარს. პროზის ნიმუშების მრავლესობა წარმოადგენს ინდ. წარმოავლობის ერთ ჩარჩოში ჩასმულ დიდაქტ. რაკების კრებულებს: ქანარიზისა (1050) და ზაჰირი სამარყანდის „სინდბადნამე“ 1160), დაყაიყის (XIII ს.) „ბახთიარნამე“ ნახშაბის (XIV ს.) „თუთინამე“, ასრალაჰის „ქილილა და დამანა“, „აჟასრთი ღამე“; აგრეთვე ამ ტიპის ორიგინ. ეგლებს: ქეი-ქაუსის (1021—98) „დარიებათა წიგნი“ (იგივე „ყაბუსნამე“), ნიზამ ალ-მულქის (XI ს.) „სიასათნამე“, *ნიზამი არუზი სამარყანდის* „ჩაჰარ მაყალე“ „ოთხი განსჯა“), მუჰამად ავფის (XIII ს.) არაკთა კრებული“ და სხვ. რთული რიორიკული პროზის ნიმუშია ვაეზ ქაშეფის (გარდ. 1503) „ანვარე სოჰაილი“ (იგივე „ქილილა და დამანა“). ამ ტიპის ძეგლებს სტილის სიმარტივითა და სათავგასავლო სიუჟეტით უპირისპირდება სპარს. ალხ. *დასთანები* (რომანები), რ-თა ადინდ. ნიმუშები XII—XIV სს-ით თარიღება („აბუ მუსლიმნამე“, „ყაჰრამანნამე“, „დარაბანამე“, „სამაქე აიარი“). ხეიოსნურ წრეებში წარმოქმნილი ეს დეოკრ. რომანები და ხალხ. ნოველების კრებულები განსაკუთრებით გამრავლდა XVI—XVII სს-ში („ბაჰრამი და გოლანდამი“ მეჰრი და მაჰი“, „ამირ ჰამზა“, „ოთხი ერვიში“ და სხვ.).

სეფიანთა ეპოქა სპარს. ლიტ-რის დაღმის ხანადაა მიჩნეული. იგი ძირითადად ლასიკური პერიოდის თემატიკისა და ბატვრული სახეების გავლენას განიცდის. ბატონდა რიული „ინდური სტილი“, ოპულარული გახდა საგმირო და რომანტიული, ლირიკა, დიდაქტიკა. აღსანიშნავია ოეტების *ჰათეფის*, ეჰლი შირაზის, ბაღრ ალ-დინ ჰილალისა და სხვათა შემოქმედება.

XVIII ს. II ნახევარში წარმოიშვა ე. წ. ლიტერატურული დაბრუნების“ („ბაზგშთ“) მიმდინარეობა, რ-ის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ კლასიკური პოეიის საუკეთესო ტრადიციების აღდგენას. ბაზგაშთმა“ გარკვეული როლი ითამაშა სპარს. ლიტ-რაში რეალიზმის განვითაების თვალსაზრისით.

XIX ს-ში სამწერლო სტილი გამარივდა, განვითარდა პროზა, დრამატურია, მთარგმნელობითი საქმე, პრეს. ლიტ-რაში შეიჭრა განმანათლებლური იდეები, გაჩნდა ეროვნ.-განმათ. სუიკვეთება. სპარს. ლიტ-რაში განმან. ფეების პროპაგანდის, კრიტ. რეალიზმის ანვითარებისა და ირანელთა ეროვნ. ვითშეგნების გაღვიძებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზეინ ალ-აბედინ *მარაღეის* რომანს „იბრაჰიმბეგის მოგზაურობა“, აბდ ალ-რაჰიმ თალიბოვის (1855—1910) თხზულებებს, აგრეთვე ირზა აღა ხან ქირმანის (1853—96) „ასმართვას“ და კომედიებს, რ-თაც მირზა ალქიმ-ხანს მიაწერენ.

XX ს. სპარს. ლიტ-რაში წამყვან თემად იქცა სოც.-პოლიტ. სინამდვილე. ი-ის 1905—11 რევ. პერიოდში პოეზია ახ. სოც. წყობის, დემოკრატიზაციისა და პიროვნების თავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად იქცა (*ბაჰარის, ეშკის, ირაჯ მირზას, არიფ ყაზვინის, ლაჰუთის, ფარუხი* იაზდისა და სხვათა შემოქმედება). პოლიტ. სატირის ჟანრი პირველად გაჩნდა ალი აქბარ *დეჰხოდას* შემოქმედებაში. ეროვნ. თვითშეგნების გაღვიძებამ ი-ში გააძლიერა წარსულისადმი ინტერესი და წარმოშვა ისტ. რომანი (მოჰამედ ბაყერ ხოსროვის ტრილოგია „შამსი და თოღრა“). 20-იანი წლებიდან განვითარდა სოც. რომანი. აღსანიშნავია მორთეზა მოშფეყ ქაზემის „საზარელი თეირანი“, აბას ხალილის „ღამის საიდუმლოებანი“, „შურისძიება“, „ადამიანი“, მოჰამედ ჰეჯაზის „ჰომა“, „ზიბა“, „ფარიჩეჰრი“, იაჰია დოვლათაბადის „შაჰრნაზი“ და სხვ. დამკვიდრდა მცირე ფორმის ნაწარმოებები. *ჯამალზადეს* სატირული ნოველების კრებ. „იყო და არა იყო რა“ (1922) საფუძვლად დაედო ახ. სპარს. ნოველას. 30-იან წლებში განვიდა მწერალთა ახ. თაობა: სადეყ *ჰედაიათი, ბოზორგ ალავი* და სხვ., რ-ებმაც დაამკვიდრეს რეალიზმი სპარს. ლიტ-რაში. მათი მოთხრობების უმთავრესი პერსონაჟები უბრალო ირან. ადამიანები არიან, რ-ებიც აბრძვიან უკეთესი მომავლისათვის. სპარს. პოეზიის განვითარებაში მნიშვნელოვანი პოვლენა იყო *ნიმა იუშეჯის* მოღვაწეობა. მის გზას გაჰყვნენ მ. *აფრაშეე*, ეჰსან თაბარი (დ. 1917), *ფალე*, საიე (დ. 1927) და სხვ. ახ. სპარს. ლიტ-რის შემდგომი დემოკრატიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ი-ის პროგრ. მწერალთა პირველმა კონგრესმა (1946). მოწინავე მწერლები: ე. თაბარი, ა. ნუშინი, ა. სადეყი, მ. ბეჰაზინი, ს. ჰედაიათი, ბოზორგ ალავი, მ. ბაჰარი და სხვ. ავითარებენ მშვიდობისა და დემოკრ. იდეებს.

ი-ის თანამედროვე ლიტ-რაში პროზის უმთავრესი ჟანრია მოთხრობა და ნოველა, მაგრამ იწერება რომანებიც. ვითარდება დრამატურგია. პოეზიაში გრძელდება ჭიდილი „თავისუფალ ლექსსა“ და კლასიკურ არუზს შორის. შეინიშნებოდა დას. ევრ. ლიტ-რით გატაცება. მწერლობაში აისახა უკანასკნელ წლებში ი-ში გატარებული რეფორმები.

ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. ქართ. საისტორიო ქრონიკებში აისახა ძვ. ირან ლეგენდები. საერო მწერლები ხშირად იხსენიებენ სპარს. ძეგლებსა და მათ მოქმედ პირებს, რაც მათ მიერ ფირდოუსის, უნსურის, ნიზამის თხზულებათა ცოდნას ადასტურებს. XII ს-ში ქართულად ითარგმნა *„ვისრამიანი“*, ეს თარგმანი ქართ. მთარგმნელობითი ხელოვნ. შედევრადაა აღიარებული. განსაკუთრებით გაძლიერდა ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობა აღორძინების ხანაში, XVI—XVIII სს-ში, გაჩნდა თავისუფალი გადმოლება, ადაპტაცია, მიბაძვა, აგრეთვე ზუსტი თარგმანი. ამავე დროს ი-ში კულტ. ასპარეზზე მოღვაწეობდა მრავალი წარმოშობით ქართვ. მწერალი (ქაიხსრო-ხანი, სოჰრა-ბეგი, *აბთარი* გორჯი და სხვ.). საქართველოს იცნობდნენ პოეტები ხაკანი. ნიზამი, ხალხალი, საფი და სხვ.

ლიტ.: გვახარია ა., სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები, თბ., 1968; მისივე, ფირდოუსი, თბ., 1963; თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, [წგნ.] 1—2. თბ., 1971—75; კობიძე დ., სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975; მისივე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 2—3, თბ., 1969 — 78; ფაღავა კ., ნიზამი, თბ., 1964; ფუთურიძე ვ., ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე, «ალალები», 1947, [ტ.] 1; ხუბუა შ., მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს ირანულში, «თსუ შრომები», 1938, ტ. 6; Бертельс Е. Э., История персидско-таджикской литературы, М., 1960; Брагинский И. С., Комиссаров Д. С., Персидская литература, М., 1963; Никитина В. Б., Левковская Р. Г., Литература Ирана, ч. 2. М., 1970; Рипка Ян, История персидской и таджикской литературы, [пер. с чеш.], М., 1970; ია ია არაბეფურ, აბ ხაბაქ თა ნიმა, ტ. 1—2, თეირანი, 1972; საფა ზ., თარიხ-ე ადაბიათ დარ ირან, ტ. 1—3, თეირანი, 1956—62; Bozorg Alavi, Geschichte und Entwicklung der modernen persischen Literatur, B., 1964; Browne E. G., A literary history of Persia, v. 1—2, L., 1906—08.

ა. ფაღავა. კ. ფაღავა.

XII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ი-ის ხელოვნ. ძეგლები უძველეს ეპოქებს მიეკუთვნება. ნეოლითის ხანიდან შემორჩენილია ძვ. დასახლებათა ნაშთები, თიხატკეპნილი და ალიზის სახლების კედლის მოხატულობათა კვალი, ტერაკოტის ფიგურები, კერამიკა (ძვ. წ. V—IV ათასწლ.); ძვ. წ. III—II ათასწლეულებში ი-ის სამხრ.-დას-ით, ელამის სახელმწიფოში, განვითარდა შუამდინარეთის კულტურის მონათესავე ხელოვნება (იხ. *ბაბილონურ-ასურული კულტურა*). მიდიის სახელმწიფოს (ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) დედაქალაქ ეკბატანაში (ახლა ჰამადანი) აგებენ -მძლავრ ციხესიმაგრეებს, ამავე ხანას მიეკუთვნება კლდეში გამოკვეთილი აკლდამები (დი-დიხთარში, ი-ის სამხრ. ნაწილში). აქემენიდების ეპოქაში განვითარდა სასახლეთა არქიტექტურა (კომპლექსები პერსეპოლისში, სუსაში, ძვ. წ. 521 — ძვ. წ. IV ს. I ნახ.), რ-ის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნაგებობა იყო აპადანა. საშენ მასალად იყენებდნენ ალიზს, ქვას, ხეს. შენობებს ლესავდნენ ფერად-ფერადად, ამკობდნენ რელიეფებით, ცხოველთა და ადამიანების გამოსახულებებით. საკულტო ნაგებობათაგან გავრცელებული იყო ზარათუშტრას გეგმით კვადრ. 4-სვეტიანი სამლოცველოები და ქვის კვადრ. კოშკები წმ. ცეცხლის შესანახად. დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ნიმუშთაგან დამახასიათებელია: ოქროსა და ვერცხლის ჭელური ჭურჭელი, საიუველირო ნაკეთობანი. სელევკიდების დროის ი-ის ხელოვნებაში ჭარბობს ელინისტური სახეები (ტაძარი ქენგავერში, ძვ. წ. II ს.). პართელთა პერიოდში სასახლეთა არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ნაგებობის ტიპი—შიგა ეზოსკენ გახსნილი დარბაზი—*აივანი*. სასანიანთა პერიოდი ხასიათდება ინტენს. ქალაქთმშენებლობით. ამ ხანებში ჩნდება ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათები (უმნიშვნელოვანესი ძეგლებია ფირუზაბადის, სარვესტანის, ქტესიფონის სასახლეები).

ხასვით ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქანდაკებას (გიგანტური სტალაქტიტისაგან გამოკვეთილი მეფე შაპურ I-ის ქანდაკება გამოქვაბულში ბიშაპურის მახლობლად, ბრინჯაოს ბიუსტები მაზაწდარანიდან), აგრეთვე კლდეზე ამოკვეთილ რელიეფებს (ნაყშროსთამში, ბიშაპურში). ამზადებენ ძვირფასი ლითონების (ოქრო, ვერცხლი), აგრეთვე ბრინჯაოს ჭურჭელს, საიუველირო ნივთებს. არაბთა მიერ ი-ის დაპყრობას (VII ს.) მოჰყვა ისლამის გავრცელება. გაჩნდა მინარეთებიანი მეჩეთები, მედრესეები, მავზოლეუმები, ქარვასლები, აბანოები, დაიწყო ქალაქ-სიმაგრეების მშენებლობა. საშენ მასალად იყენებდნენ ალიზს, აგურს, ქვას. ფართოდ იყო გავრცელებული ისრისებრი თაღები და კამარები. XII ს-ში ყალიბდება ირან. მეჩეთის ტიპი: გალერეებით გარშემორტყმული გეგმით სწორკუთხა ეზო, ღერძებზე განლაგებული 4 აივნით (ლივანით), რ-თაგან ერთ-ერთს მოსდევდა გუმბათოვანი დარბაზი (მეჩეთი ზავარში, არდასტანის მახლობლად, 1135; საკრებულო მეჩეთი ისპაანში), მეჩეთებთან აღმართული იყო მინარეთები. აგებდნენ მავზოლეუმებს. ისლამის გავრცელების ხანაში ფერწერა დიდად განვითარდა ორნამენტის

ირანი. შეიდარი და ტფვეაბრეშუმის ქსოვილი. XVI ს. აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

ირანი. პეიზაჟური მინიატურა ხელნაწერი „სპარსული პოეზიის ანთოლოგია.“ შირაზი 1398. თურქული და ისლამური ხელოვნების მუზეუმი სტამბოლი.

ხელოვნება. სახვით ხელოვნებაში უპირატესობა მიენიჭა დეკორატიულობას. VII—XIII სს-იდან შემორჩენილია კედლის მოხატულობის ფრაგმენტები, რ-ებზეც ასახულია ნადირობისა და სასახლის ცხოვრების სცენები. წიგნებს ამკობდნენ მინიატიურით. დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნება ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მუსლიმანობამდელ ტრადიციებს. სელჩუკების დროს (XI—XII სს.) ფართოდ გავრცელდა სპილენძით ან ვერცხლით ინკრუსტირებული ბრინჯაოს ნაკეთობანი. IX — XIII სს-ში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს კერამიკას (ძირითადი ცენტრები — ნიშაბური, რეი, ქაშანი და სხვ.). იქმნება მდიდრულად ორნამენტირებული ქსოვილები.

XIII—XIV სს. არქიტექტურაში (ილ-ხან ჰულაგუიანების ხანა) იქმნება დიდი საკულტო კომპლექსები, რ-ებშიც გაერთიანებულია რამდენიმე შენობა: მეჩეთი, მინარეთი, ხანაგა ან მედრესე (კომპლექსი ნათანზში, 1304—25) XIV—XV სს. სახვით ხელოვნებაში დიდი ადგილი უჭირავს მინიატიურებს. XIV ს. I ნახ. ნიმუშებში იგრძნობა კედლის მხატვრობის ზეგავლენა („შაჰნამე", 1333, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კა, ლენინგრადი). XIV ს. დასასრ. — XV ს. დასაწყისში მინიატიურა ორგანულად უკავშირდება ტექსტსა და ხელნაწერის საერთო მხატვრულ გაფორმებას. კომპოზიცია რთულდება. მინიატიურის ცნობილი ცენტრები იყო შირაზი, ჰერათი.

სეფიანთა ეპოქის არქიტექტურა გამოირჩევა უზარმაზარი მასშტაბებით, პომპეზურობით, მოხდენილი დეტალებითა და რთული დეკორით. განსაკუთრებით განვითარდა ქალაქთმშენებლობა (ახალი ისპაანი), საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქარვასლის ტიპი. სასახლეთა დეკორ. მორთულობაში დიდი ადგილი ეჭირა ფერწერას, ფერად მაიოლიკას, მოცულობით ქანდაკებას. XVI—XVII სს. მინიატიურის აღმავლობის ხანაა. XVI ს. I ნახევარში ცნობილი გახდა თაერიზის სამინიატიურო სკოლა. XVI ს. II ნახევარში მნიშვნელოვან ცენტრად იქცა მეშჰედი. XVII ს. I ნახევარში დაწინაურდა ისპაანის სკოლა, რაც დაკავშირებული იყო რეზა აბასის შემოქმედებასთან. აღმოცენდა პორტრეტული მინიატიურის ჟანრი. Ი-ში მოღვაწეობდნენ შესანიშნავი ქართვ მინიატიურისტები სიაუში (XVI ს.) და ჯაბადარი (ალ-ყული ჯაბადარი, XVII ს.) სეფიანთა ხანის დეკორ - გამოყენებით ხელოვნებაში განსაკუთრებით განვითარდა ფეიქრობა, მეხალიჩეობა, XVI—XVII სს-ში კი კერამიკა (ქაშანი, ქირმანი, იეზდი).

XVIII—XIX სს-ში ეკონ. დაცემას მოჰყვა მშენებლობის მკვეთრი შემცირება, მაგრამ არქიტ. და სახვ. ხელოვნ. ძვ. ტრადიციები მაინც გრძელდებოდა.

XX ს-ში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში. იქმნება ნაგებობათა ახ. ტიპები (უნ-ტის შენობა თეირანში, 30-იანი წწ., არქიტ. ა. გოდარი), შენდება რკინაბეტონის ნაგებობანი (კაშხალი მდ. სეფიდრუდზე), ფკა-ქ-ნები, საცხოვრ. და საზ. შენობები.

ირანი. პერსეპოლისის სასახლის (ძვ. წ. 518—IV ს.) ტრიპილონის კიბის ბარელიეფი. ფრაგმენტი.

50-იან წლებიდან ფართოდ გაიშალა მშენებლობა (სენატის შენობა თეირანში, 1959; სასტუმრო ჰილტონი თეირანთან, 1962; ორივე — არქიტ. მ. ფორუღი, ჰ. გიაჰი). ირან. არქიტექტორები თავის ნამუშევრებში ერთმანეთს უხამებენ თანამედროვე არქიტ. პრინციპებსა და ეროვნ. ტრადიციებს (არქიტ. ჰ. სეიჰუნი — იბნ სინას მაგზოლეუმი ჰამადანში, 1952; ომარ ხაიამის საფლავის პავილიონი-როტონდა ნიშაბურში, 1963). შენდება ახ. ქ-ები, სამრეწვ. ცენტრები და სხვ.

XX ს. დასაწყისში განვითარდა ევრ. ტიპის ქანდაკება, ფერწერა და გრაფიკა (წიგნის ილუსტრაცია, სარეკლამო პლაკატი). რეალისტ ხელოვანთა ჯგუფს ეკუთვნის მხატვარი ქემალ ალ-მოლქი (1920 დააარსა ფერწერისა და ქანდაკების სკოლა თეირანში), მხატვარი და მოქანდაკე ჰასან ალი ვაზირი, მოქანდაკე აბულყასიმ სადეყი და სხვ. განვითარდა მოდერნისტული მიმართულებანი (ბეჰჯად სადრი, აბმად ისფანდიარი და სხვ.). დეკორ.-გამოყენებით ხელოვნებაში შენარჩუნებულია ტრად. ხასეები. 1959 თეირანში დაარსდა დეკორ. ხელოვნ. უმაღლესი სკოლა. ხალხ. ხელოსნობის მთავარი დარგებია: ხით, სადაფითა და ძვლით ინკრუსტაცია, ჭედურობა (ცენტრები — ისპაანი, შირაზი) და სხვ.

ლიტ.: **Ашрафи М., Миниатюры XVI века в списках произведений Джами из собраний СССР, М., [1966]; Всеобщая история архитектуры, т. 1, М., 1970, с. 291—347; т. 8, М., 1969, с. 144—182; Всеобщая история искусств, т. 1, М., 1956, с. 381—398; т. 2, кн. 2, М., 1961, с. 75—104; Денике Б. П., Живопись Ирана, М., 1938.**

XIII. მუსიკა

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ირან. მუსიკა ძირითადად ერთხმიანია. ფართოდაა გავრცელებული ხალხ. მუს. ფორმები—თასნიფები (ბალადები), თერანე (ადგილ. ჰანგები), კასიდები (ოდები), ღაზალები (ლირ. სიმღერები). პოპულარულია ვოკალურ-საკრავიერი სიუიტები—მაკამები. ხალხ. მუს. საკრავებია: საზი, თარი, ქამანჩა, ქარნაი, ზურნა, ზარბი.

ისტ. წყაროებით ირან. მუსიკა დაკავშირებულია მესოპოტამიის მუს. კულტურასთან, არაბთა ბატონობის წლებში ირან. მუსიკამ განიცადა არაბ.-მუსლ. მუს. კულტურის გავლენა, ხოლო, თავის მხრივ, არაბ. მუსიკამ ირანულის მრავალი ელემენტი შეითვისა. IX ს-იდან ვითარდება სამეფო კარის ხელოვნება, პოპულარობას იხვეჭენ მუტრიბები (მოცეკვავე-მოძღვრლები). ვითარდება მუს. თეორია.

XIX ს-იდან ირან. მუსიკა განიცდის ევრ. მუსიკის გავლენას. XX ს. დასაწყისში თეირანის უნ-ტის პროფესორმა ალი ნაყი ვაზირიმ საფუძველი ჩაუყარა ეროვნ. მუსიკის შესწავლის საქმეს. 30-იან წლებში გაიხსნა უმაღლესი მუს. სკოლა თეირანში (40-იან წლებში კონსერვატორია). ირან. მუსიკოსებიდან აღსანიშნავი არიან: აბდულჰასან საბა, ალი ნაყი ვაზირი, რ. ხალეყი და სხვ.; შემსრულებელთაგან და ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებიდან — ფ. საბა, ს. თაჯბახში, ჰ. სარშარი და სხვ. Ი-ში მუშაობს რუდაქის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი (1967, თეირანი), ტელევიზიის საბალეტო დასი, ფილარმონია (დაარსდა 1953), ორი სიმფ. ორკესტრი, კონსერვატორია, საბალეტო სკოლები. 1968-იდან შირაზში ტარდება ხელოვნ. ეროვნ. ფესტივალები.

ლიტ.: **Беляев В., Персидские тесниифы, М., 1964; Бертельс Е. Э., Теория музыки в современной Персии, кн.: Музыкальная этнография, Л., 1926.**

XIV. დრამატული თეატრი

Ი-ში ძველთაგანვე ცნობილი იყო პანტომიმის ხელოვნება, ხრდილების თეატრი. X ს-ში ვითარდება ხალხური მისტერია, იგი რელიგიური წესჩვეულების *შაჰსევაჰსეის* შემადგენელი ნაწილი იყო. XVII—XVIII სს-ში შექმნილი მისტერიის ჩანაწერები საფუძვლად დაედო სპარს. ტრაგედიის ერთ-ერთ სახეს — თაზიას, რ-ის წარმოსახვას გმირის, — შიიტების წმინდანის იმამ ჰუსეინის (ახ. წ. 680) დალუპვას. XX ს. 30-იან წლებამდე არსებობდნენ მოხეტიალე მსახიობები — მასხარე-ბაზები. 1890 თეირანის პოლიტექ. სკოლასთან დაარსდა სასახლის კარის თეატრი. 1911—12 შეიქმნა ეროვნ. თეატრი, 1917 — ევრ. ტიპის თეატრი „ირანული კომედია". მათ შექმნას ხელმძღვანელობდა მსახიობი სეიედ ალი ნასრი. 1929-იდან თეატრში გამოჩნდნენ მსახიობი ქალები (მანამდე ყველა როლს მამაკაცები ასრულებდნენ). 1932 პირველმა თეატრ. მხატვარმა ს ქერმანშაჰმა თეირანში დააარსა თეატრი-სტუდია. 1945—49 თეირანში მუშაობდა თეატრი „ფირდოუსი", რ-ის წამყვანი რეჟისორი და მსახიობი იყო აბდ ალ-ჰოსეინ ნუშინი. 40-იანი წწ. დასასრ. Ი-ის თეატრი კრიზისს განიცდის. 60-იან წლებში დაარსდა ყმა აღმავლობის ხანა. 1963 თეირანში შეიქმნა დრამ. სტუდია. ყალიბდება მუდმივი დასები: „თეატრი დღეს", ეროვნ. დასი და სხვ. წამყვანი მსახიობები არიან მოსტაფა და მაჰინ ოსქუიები, რ ხოსროვი, ამირ შერვანი და სხვ. 1968—69 ახ. თეატრ. დარბაზში „თალარე მუზეში" დაიდგა რუს. და საბჭ., აგრეთვე დას. ევრ. დრამატურგთა პიესები. შირაზში ყოველწლიურად (1968-იდან) იმართება თეატრ. ფესტივალები.

XV. კინო

40-იან წლებამდე Ი-ის ეკრანებზე ძ. რითადად გადიოდა საზღვარგარეთული ფილმები. 1946 თეირანში შეიქმნა პირველი კინოსტუდია „მითრა-ფილმი", რ. თაც საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ კინოწარმოებას. 50-იანი წწ. საუკეთესო ფილმი „ნავსადგურის ქურდი" (1954 რეჟ. ა. შირაზი) შეიქმნა იტალ. ნეორეალიზმის გავლენით. 70-იანი წწ. დასაწყისში იდგმებოდა მითოლ. და ისტ. სიუჟეტებზე შექმნილი ფილმები, მუს. კომედიები, მელოდრამები. აღსანიშნავია ფილმები „მაზანდარანელი ვეფხვი" (რეჟ. ს. ხაჩიკიანი), „მოლოდინის ნაპირი" (რეჟ. ს. იასემი). 1955-იდან თეირანში ტარდება საერთაშ., ხოლო 1964-იდან ეროვნ. კინოფესტივალები. კინემატოგრაფიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: ი. ქუშანმა, მ. მისაყიემ, შ. რაფიამ, ს. ხაჩიკიანმა და სხვ. მსახიობებმა: ვოსუღიმ, ფარდინმა, არმანმა, ჟალემ, შაჰლამ, სადრმა და სხვ. Ი-ში ყოველწლიურად გამოდის 100-ზე მეტ ფილმი მუშაობს 500-მდე კინოთეატრი.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 240—241. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 192—193.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (ᲒᲙᲞ ᲞᲔᲖᲜᲐᲓ ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔ ᲘᲠᲐᲜ), შეიქმნა 1920 წ. 20 ივნისს ქ. ენზელში ს.-დ. პარტიიდ *„ადალათის"* ყრილობაზე. პარტიის პროგრამა მიზნად ისახავდა ყაჯართა დინასტიის დამხობას, მსხვილი ფეოდ. მიწათმფლობელობის მოსპობასა და ირანის გან თავისუფლებას იმპერიალისტების ბატონობისაგან. ყრილობის შემდეგ იკპ კომინტერნში შეივიდა. მემარცხენე ელემენტების გავლენით 1920 იკპ-ის ხელმძღვანელობა დაუშვა ზოგიერთი შეცდომა: წამოაყენეს ლოზუნგი ირანში სოციალ. რევ. დაუყოვნებლივ განხორციელების და არა მარტო მემარცხენეობა, არამედ წვრილი მიწათმფლობელების მიწების კონფისკაციის შესახებ, მაშინ, როცა საამისო ობიექტური პირობები არ იყო მომწიფებული. 1920 ოქტ. აირჩიეს პარტიის ახ. ხელმძღვანელობა ჰაიდარ-ხან ამუ-ოღლუს მეთაურობით.

1920—22 იკპ აქტიურად მონაწილეობდა ირან. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. *რეზა შაჰ ფეჰლევის* ტახტზე ასვლის (1926

ემდეგ იკპ-მ მკაცრი რეპრესიები განიცა-
ა. პარტიის II ყრილობა 1927 უკვე არა-
ლეგალურად ჩატარდა. 1931 მაისში რეზა-
ამ გამოსცა კანონი, რ-იც კრძალავდა
ომუნისტურ მოღვაწეობას. 1938 მოეწყო
ასამართლო პროცესი იკპ-ის ხელმძღვა-
ელობის წინააღმდეგ (ე. წ. „53-ის პრო-
ესი"). პარტიის ხელმძღვანელობა და-
პატიმრეს. ამით იკპ-მ არსებობა შეწყვი-
ა. 1941-იდან იკპ-ის საქმეს *ირანის სა-
ალხო პარტია* (თუდე) განაგრძობს.

გ. ჭიპაშვილი.

ირანის მთიანეთი, მთიანეთი დას.
ზიაში. ჩრდ-ით ესაზღვრება თურანისა
ა სამხრეთ კასპიის დაბლობები, აღმ-ით—
დ. ინდის აუზში მდებარე ვაკე, სამხრ-ით—
არმსირის ზღვისპირა უდაბნო, სამხრ.-
ას-ით — მესოპოტამიის დაბლობი, დას-
თ გადადის სომხ. მთიანეთში. ფართ. 2,7
ლნ. *კმ*². გადაჭიმულია დას-იდან აღმ-
ენ დაახლ. 2500 *კმ*-ზე, ჩრდ-იდან სამხრ-
ენ დაახლ. 1500 *კმ*-ზე. ტერიტ. 2/3 ირანს
კუთვნის, დანარჩენი — ავღანეთსა და პა-
ისტანს. ჩრდ. განაპირა კიდე შემოდის
ერკ საზღვრებში (ქოფეთდაღის მთების
აწილი), დას. ნაწილი კი ერაყშია.

ი. მ. წარმოადგენს ნაოჭა და ნაოჭა-
ოდა მთების, ზეგნებისა და ქვაბულების
რთობლიობას. განაპირა მთები ალპური
როგენეზის სარტყელშია მოქცეული და
ასიათებს მაღალი სეისმურობა. ესენია:
რდ ნაწილში — *ელბურსი, თურქმენეთ-
ორასნის მთები, ფაროფამიზი, ჰინდუ-
უში*; სამხრ და სამხრ.-დას ნაწილში—
აგროსი, ზაქრანი; აღმ. ნაწილში *კირთა-
ის, სულეიმანის მთები*, სფინგარისა და
ინდურთაჯის ქედები მთიანეთის შიგა
აწილში აღმართულია ქუპრუდის, ქუპ-
ანის, შუა ავღანეთისა და სხვა მთათა
ისტემები. ზეგნებიდან აღსანიშნავია სარ-
ბდი, ღაზნი-ყანდაარის ზეგანი; მთათა-
ორისი დახშული ქვაბულებიდან — *დაშთე-
ევირი, დაშთე-ლუთი* და სხვ. ამომშრა-
ი ტბების ფსკერზე მარილი და თაბაში-
ია გამოლექილი.

ი. მ-ის ჰავა ჩრდ-ით მშრალი კონტი-
ენტური, სუბტროპიკულია, სამხრ-ით —
როპიკული. ნალექები მცირეა (50—150 *მმ*
ელიწადში). ნალექიანია ელბურსის მთე-
ს ჩრდ. კალთები (2000 *მმ*-მდე) და
ულეიმანის ქედის სამხრ.-აღმ. კალთები
1000 *მმ*-მდე). ი. მ-ის მდინარეთა უმრავ-
ესობა წყალმცირეა მთავარი მდინარე-
ია. ქარუნი, ჰილმენდი, ჰარირუდი. მდ-
ს იყენებენ სარწყავად. ბევრია მლაშე
ბა. გავრცელებულია უდაბნოსა და მშრა-
ი სტეპის მცენარეულობა. განვითარე-
ულია მლაშობი, ქვიშიანი, ქვიშიან-კენჭ-
არი უდაბნოები. ელბურსის ჩრდ. და ზაგ-
ოსის დას. კალთებზე გვხვდება ფართო-
ოთლოვანი ტყეები, სულეიმანისა და
ირთარის აღმ. კალთებზე — მთის სავა-
ი და სუბტროპ. ტყეები. ცხოველებიდან
ავრცელებულია ქვეწარმავლები, მღრღნე-
ები, ტბებზე მრავალი ფრინველი ზამთ-
ობს.

ირანის რევოლუცია 1905—11, ანტიფე-
დალური და ანტიიმპერიალისტური ბურ-
ჟაზიული რევოლუცია. გამოიწვია, ერთი
რივ, რეაქციულ მმართველ ფეოდ. არის-
ოკრატიასა (*ყაჯართა* დინასტიით საოავე-
ბ) და მეორე მხრივ, ახალწარმოქმნილ
ბოვნ. ბურჟუაზიას, მუშებს, ხელოსნებსა
ა გლეხებს შორის წინააღმდეგობათა გა-
რდამ. ამ წინააღმდეგობათა გამწვავებას
�ლი შეუწყო XX ს დასაწყისში ირანის
�დაქცევამ იმპერიალ. ქვეყნების ნახევ-
ადკოლონ ქვეყნად. ი. რ-ზე დიდი გავ-
ენა მოახდინა რუს. 1905 რევოლუციამ
ვ. პირველი ეტაპი (1905 დეკ. — 1906
ამლეკი) დაიწყო სახ. დემონსტრაციებით
ირანში, მეშჰედში, შირაზში. დემონსტ-
აციებს სასულიერო პირები მეთაურობ-
ენ. მას შემდეგ, რაც შაჰის ჯარებმა უა-
ბ თქვეს დემონსტრანტების წინააღმდეგ
მოსვლაზე, შაჰი იძულებული გახდა
1906 წ. 5 აგვ. გამოეცა ბრძანებულება
კონსტ. წყობილების შემოღების შესახებ.
7 ოქტ. გაიხსნა პირველი მეჯლისი. მან
შეიმუშავა და დაამტკიცა ძირითადი კა-
ნონი — ირანის კონსტიტუციის I ნაწილი,
რ-მაც შეზღუდა შაჰის ძალაუფლება.

1907-იდან დაიწყო ი. რ-ის II ეტაპი (გა-
გრძელდა 1908 შუა ხანებამდე) ამ ეტაპზე
რევ. მოხაწილენი მკვეთრად გაიმიჯნენ
ლიბერ. და დემოკრ. ბანაკებად: აღმოცენ-
და მუშათა პირველი ორგანიზაციები, და-
იწყო გლეხთა ანტიფეოდ. გამოსვლები,
გაძლიერდა ანტიიმპერიალ. ბრძოლა. გა-
ჩნდა პირველი ენჯომენები — ბურჟ.-რევ.
ორგანიზაციები, გააქტიურდნენ *მოჯაპი-
ედების* რევ.-დემოკრ. ორგანიზაციები, შე-
იქმნა *ფედაიების* შეიარაღებული რაზმები,
ფართოდ გავრცელდა რევ. პრესა. მეჯ-
ლისმა გააუქმა ფეოდ. *თიულები*, მიიღო
ძირითადი კანონის დამატება, რ-შიც გა-
მოცხადებული იყო ბურჟ. თავისუფლება-
ნი. რევ. დასაწყისში ინგლ კოლონიზა-
ტორები თავიანთ პოლიტ. მიზნებს ი. რ-
დმი თანაგრძნობის ნილბით მალავდნენ.
თუმცა რუს. ცარიზმი მტრულად იყო გან-
წყობილი ი. რ-დმი და მხარს უჭერდა რეა-
ქციას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა
შეიარაღებულ ჩარევას. გერმ. იმპერია-
ლიზმი კი, რ-იც ინგლისისა და რუსეთის
წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა,
თვალთმაქცურად უჭერდა მხარს ეროვნ.-
განმათ. მოძრაობას. 1907 აგვ. შეთანხ-
მებით ინგლისმა და რუსეთმა ირანი გაყვეს
ინგლ., რუს. და ნეიტრალურ ზონებად.
ამის შემდეგ მათ რევოლუციის წინააღმ-
დეგ ბრძოლის მეტი შესაძლებლობა მიე-
ცათ.

1908 წ. 23 ივნ. მოჰამედ ალი-შაჰის მი-
თითებით სპარს.-კაზაკთა ბრიგადამ კონტრ-
რევ. გადატრიალება მოაწყო ამის შემდეგ
რევ. მოძრაობის ცენტრმა თავრიზში გადა-
ინაცვლა. დაიწყო ი. რ-ის III ეტაპი. თავ-
რიზის აჯანყებაში (1908—09) წამყვან
როლს ასრულებდნენ მოსახლ. დემოკრ.
ფენები სათარ-ხანის მეთაურობით. 1909
იანვ. შაჰის მოწინააღმდეგე ბახთიარმა
ხანებმა ისპაანი აიღეს. 9 თებ. აჯანყება
მოხდა რეშთში, შემდეგ რევოლუციონერე-
ბმა დაიკავეს ყაზვინი. კონსტიტუციის
მომხრეთა ხელში გადავიდა ბუშირი, ბენ-
დერ-აბასი და სხვ. ქ-ები. გილანელ რე-
ვოლუციონერებს დიდი დახმარება გაუწია
ამიერკავკ ბოლშევიკების ჯგუფმა გ. ორ-
ჯონიკიძის მეთაურობით, რ-იც 1909 აგვ-
იდან —1910 ნოემბრამდე გილანში იყო.

1909 წ. 14—16 ივლ გილანელებისა და
ბახთიარების შეერთებულმა ძალებმა თეი-
რანი აიღეს, მოჰამედ ალი-შაჰი ტახტიდან
ჩამოაგდეს და ტახტზე მისი შვილი; ამმადი
აიყვანეს. ლიბერ. ფეოდ.-მემამულურმა
წრეებმა და მსხვილმა კომპრადორულმა
სავაჭრო ბურჟუაზიამ ისარგებლეს დემოკრ.
მოძრაობის წარმატებით და ხელში ჩაიგ-
დეს ძალაუფლება. ასე დაიწყო ი. რ-ის უკა-
ნასკნელი. IV ეტაპი. მთავრობა კონტრ-
რევ გზას დაადგა 1910 აგვ. განაიარაღეს
სათარ-ხანის ფედაიები თეირანში ყოფილი
შაჰი მოჰამედ ალი 1911 ორჯერ შეიჭრა
ირანში და რუს. თვითმპყრობელობის დახ-
მარებით ტახტის დაბრუნებას ლამობდა,
მაგრამ დამარცხდა. 1911 ბოლოს შინა-
განი რეაქციისა და იმპერიალ. ძალებმა
შეძლეს საბოლოოდ ჩაეხშოთ რევოლუ-
ცია. მიუხედავად დამარცხებისა, რევოლუ-
ციამ ღრმა კვალი დატოვა ირან. ხალხის
ისტორიაში. მან მნიშვნელოვნად შეარყია
ფეოდ ურთიერთობანი და ირან. ხალხს
რეაქციასთან ბრძოლის დიდი გამოცდი-
ლება შესძინა

გ. ჭიპაშვილი.

ირანის სახალხო პარტია (ისპ; ჰეზბე
თუდეიე ირან, თ უ დ ე), შეიქმნა 1941
ოქტ. არის *ირანის კომუნისტური პარტიის*
მემკვიდრე. პარტიის I კონფერენციაზე
(1942) მიიღეს დროებითი პროგრამა და
აირჩიეს ხელმძღვ. ორგანოები. პარტიის
I ყრილობამ (1944 აგვ.) მიიღო პროგრამა
და წესდება, აირჩია ცკ და ისპ ცკ-ის სა-
კონტროლო კომისია. 1946 დასაწყისისა-
თვის ისპ აერთიანებდა 50 ათ-ზე მეტ
წევრს.

1948 აპრ. პარტიის II ყრილობამ ახ.
წესდება დაამტკიცა. 1949 მთავრობამ სა-
ბაბად გამოიყენა შაჰზე პროვოკაციული
თავდასხმის ფაქტი და ისპ კანონგარეშე
გამოაცხადა. 1951—53 ირანში ანტიიმპე-
რიალ. მოძრაობის გაძლიერებასთან და-
კავშირებით პარტია ლეგალურ მუშაობაზე
გადაიყვანა. იგი ხელმძღვანელობდა პარტ.
და დემოკრ ძალებს, აწყობდა მიტინგებსა
და დემონსტრაციებს. 1953 აგვ. სახელმწ.
გადატრიალების შემდეგ პარტიას ახ. ძა-
ლით დაატყდა რეპრესიები.

1971 ისპ ცკ პლენუმმა მოუწოდა პარ-
ტიას ებრძოლა ისეთი ეროვნ.-დემოკრ.
მთავრობის შესაქმნელად, რ-იც უზრუნ-
ველყოფდა ქვეყნის ნამდვილ პოლიტ. და
ეკონ. დამოუკიდებლობას, საზ-ბის ყველა
წევრს მიანიჭებდა დემოკრ უფლებებს და
იზრუნებდა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ისპ-ის ლეგალიზაცია მონაწილეობდა კო-
მუნისტური და მუშათა პარტიების საერ-
თაშ. თათბირების მუშაობაში (1957, 1960,
1969, მოსკოვი). პაოტია აგებულია დე-
მოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე. უმაღ-
ესი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს
შორის პარტიის მუშაობას ხელმძღვანე-
ლობს ცკ, რ-იც თავისი შემადგენლობი-
დან ირჩევს აღმასრ. ბიუროს. ისპ ცკ-ის
პირველი მდივანია ნურედინ ქიანური
(1979-იდან), ირანის 1978—79 ანტიმონარ-
ქისტული და ანტიიმპერიალისტური რევო-
ლუციის გამარჯვების შემდეგ ისპ ლეგალ-
ურ მუშაობაზე გადავიდა. პარტიის ცენტრ.
ორგანოა — გაზ. „დონია" („სამყარო") და
ყოველკვირეული „მარდომი" („ხალხი").

გ. ჭიპაშვილი.

ირანისტიკა, ჰუმანიტარულ მეცნიერე-
ბათა კომპლექსი, რ-იც შეისწავლის ირა-
ნულენოვანი ხალხების ისტორიას, ეკონო-
მიკას, ენებს, ლიტერატურას, მატერია-
ურ და სულიერ კულტურას. ი., როგორც
მეცნიერება, ჩამოყალიბდა XVIII ს. II ნა-
ხევარსა და XIX ს-ში.

ი-ის ჩასახვა-განვითარებას ევროპაში
ხელი შეუწყო სავაჭრო-ეკონ. და დიპლ.
ურთიერთობის განვითარებამ, ერთი მხრივ
ევროპასა და, მეორე მხრივ, ირანსა, შუა
აზიასა და ინდოეთს შორის. XIII—XIV
სს-ში გაჩნდა პირველი აღწერითი ხასია-
თის თხზულებები ირანის შესახებ —
ვაჭართა, დიპლომატთა, ბერ-მონაზონთა
ჩანაწერები და ნაშრომები. XVII ს-ში და
XVIII ს. I ნახევარში ითარგმნა სპარს.
კლასიკოსთა თხზულებები. შეადგინეს
სპარს. ენის გრამატიკა, ლექსიკონი; გა-
მოიცა პიეტრო დელა ვალეს, ჟ. შარდენის,
ჟ. ტავერნიეს, ა. ოლეარიუსის თხზულე-
ბები და სხვ. ევრ. ენებზე ითარგმნა ზო-
გიერთი სპარს. საისტ. თხზულება. ირანის
შესახებ პირველი მეცნ. გამოკვლევები
ეკუთვნით თ. ჰაიდსა და მამი-კლერაკს.
„ავესტის" გამოკვლევამ (ა. ანკეტილ-
დიუპერონი), ძვ. სპარს. ლურსმული წარ-

წერების გაშიფვრამ (გ. გროტეფენდი, ჰ. როულინსონი), კლასიკური სპარს. პოეზიისა და ძვ. ირან. ენების ისტორიის შესწავლამ ხელი შეუწყო ი-ის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებას. XIX ს-ში ი-ის წარმატება დაკავშირებული იყო ევროპაში ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებასთან და აღმ. ქვეყნებისადმი ევროპელთა ინტერესების ზრდასთან, რაც განაპირობა კოლონ. პოლიტიკამ.

XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მოხდა ი-ის ცალკეული დარგების დიფერენცირება (ოსოლოგია, ქურთოლოგია, ავღანისტიკა, ტაჯიკოლოგია), გაიზარდა შესასწავლი ირან. ენებისა და დიალექტ. რაოდენობა, მუშავდება ისტ. გეოგრაფია, მანიქეველთა მოძღვრება, ახ. ისტორია, ეთნოგრაფია, განვითარდა პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა; გამოქვეყნდა ხელნაწერთა კატალოგები (ჩ. რიო, ე. ბლოშე, ჰ. ეთე, ვ. პერჩი და სხვ.). სულ უფრო ხშირად ქვეყნდება გამოკვლევები ირან. ისტორიისა და სპარს. ლიტ-რის შესახებ (ა. კრისტენსენი, ე. ბრაუნი, ჰ. ეთე, რ. ფრაი, ბ. შპულერი, საიქსი, ვ. მინორსკი, ი. რიპკა და სხვ.), გამოიცა საისტ. წყაროები.

XX ს. დასაწყისიდან ირან. კულტურისა და ისტორიისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა თვით ირანში, რაც განპირობებული იყო ირანელების ეროვნ. თვითშეგნების გაღვიძებით. ამ დროიდან სპარს. ისტორიოგრაფიაში თანდათან დამკვიდრდა კვლევის თანამედროვე კრიტ. მეთოდი (მ. ყაზვინიდან დაწყებული). ძვ. და შუა საუკ. ირან. ისტ. სპეციალისტები (ე. ფურდავუდი, ჰ. ფირნია, ა. თაყიზადე, ა. ჰომაიუნ-ფაროხი, ნ. ფალსაფი და სხვ.) იყენებენ კვლევის ისტ.-ფილოლ. მეთოდს, წარმატებით ავითარებენ წყაროთმცოდნეობას, ტექსტოლოგიას; გამოსცემენ ძეგლებს, ბიბლიოგრაფიას, განმარტებით და ენციკლოპედიურ ლექსიკონებს. სათანადო ყურადღება ექცევა ირან. ახ. ისტორიასაც. ინტენსიურად იკვლევენ კლასიკური და ახ. სპარს. ლიტ-რის პრობლემებს (ს. ნაფისი, ზ. საფა, ი. არიანფური, ბოზორგ ალავი, ს. ჰედაიათი და სხვ.). ი. ვითარდება ავრეთვე თურქეთში, პაკისტანში, ინდოეთსა და ავღანეთში.

რუსეთში ი-ის განვითარება XIX ს. დამდეგიდან დაიწყო (ა. ბოლდირევი, ო. სენკოვსკი, ა. ხოკკო). განსაკუთრებული ყურადღება კი XIX ს. შუა წლებიდან მიექცა. დამუშავდა ირან. ისტ. საკითხები, გამოიცა პირველწყაროები, დაიწყო სპარსული ენის შესწავლა (ი. ბერეზინი, ა. კაზემ ბეკი, ბ. დორნი, ვ. გრიგორიევი, ნ. ვესელოვსკი და სხვ.). მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა XX ს დასაწყისიდან (ვ. ბარტოლდი, ვ. ჟუკოვსკი, კ. ინოსტრანცევი, ა. კრიმსკი, კ. ზალემანი, ვ. მილერი, თ. კორში). *საბჭოთა* ი. კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდების გამოყენებით, სწავლობს ირან. პოლიტ. და სოც.-ეკონ. ისტორიას, კულტურის, ეთნოგრაფიის საკითხებს. საბჭ. მეცნიერები (ვ. სტრუვე, მ. დიაკონოვი, ი. დიაკონოვი, ნ. პიგულევსკაია, ა. იაკუბოვსკი, ი. პეტრუშევსკი, ა. ალი ზადე, ა. ფაფაზიანი, ბ. ზახოდერი, კ. ჩაიკინი, მ. ივანოვი, ა. რომასკევიჩი, ი. მარი, მ. ფრეიმანი, ე. ბერტელსი, ა. ბოლდირევი, ი. ბრაგინსკი, ვ. აბაევი, დ. კომისაროვი და სხვ.) წარმატებით იკვლევენ ირან. ძვ. და შუა საუკუნეების, ახ. და უახლესი პერიოდების ისტორიას, კლასიკურ და ახ. სპარს. ლიტ-რას, ირან. ენებს და მომიჯნავე დარგებს. ი. ვითარდება მოძმე რესპუბლიკებშიც (სომხეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი).

საქართველოში ირანით დაინტერესებას დიდი ხნის ისტორია აქვს. უძველესი ქართ. წყაროები საკმაო ყურადღებას უთმობენ ირან. ისტ. ცალკეულ მომენტებს. XIV—XVIII სს. ქართვ. ისტორიკოსები (ჟამთააღმწერელი, ფ. გორგიჯანიძე, „სწავლული კაცნი") სარგებლობდნენ სპარს. წყაროებით. ამავე ეროს ზოგიერთ ქართ. თხზულებაში საინტერესო ცნობებია XVII—XVIII სს. ირან. ისტორიისათვის (ფ. გორგიჯანიძე, ს. ჩხეიძე). ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლებში არა ერთი და ორი ისეთი ენობრივი თუ ლიტ. ფაქტი დასტურდება, რ-ებიც მოწმობენ მათი ავტორების განსწავლულობას ირან. ენებსა და სპარს. ლიტ-რაში. სხვადასხვა დროს ქართულად ითარგმნა სპარს. მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები: „ვისო რამინი", „შაჰნამე", „ლეილი ვო მაჯნუნი", „იუსუფ ო ზელიხა", „ქალილა ო დიმნა" და სხვ. XIX ს. დასასრ. გამოქვეყნდა ნ. მარის წერილი, რ-შიაც დაისვა სპარს.-ქართ. ლიტ. ურთიერთობის შესწავლის საკითხი (გაზ. „ივერია", 1891). XX ს. დასაწყისში ი. ჯავახიშვილმა საქართვ. ისტ. შესწავლაში ჯეროვანი ადგილი დაუთმო ირან. ისტორიას, ირან-საქართველოს ურთიერთობას, გამოიყენა სპარს. წყაროები. ი-ის განვითარებას დიდი ყურადღება მიექცა თბილ. უნ-ტის დაარსებისთანავე (1918). ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ იუსტ. აბულაძე, გ. ახვლედიანი, ი. ჯავახიშვილი. შემოიღეს ინდ.-ირან. ენების, ირან ისტ. და სპარს. ლიტ-რის ისტორიის სწავლება. 30-იან წლებში დაიწყო სპარს. და ქართ.-სპარს. დოკუმენტების შესწავლა-გამოცემა (ი. მარი, მ. ხუბუა, ვ. ფუთურიძე). აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტისა (1945) და ინ-ტის (1960) დაარსების შემდეგ ი-ში ფართოდ გაიშალა მუშაობა ი. აბულაძის, ვ. გაბაშვილის, დ. კობიძის, ვ. ფუთურიძის ხელმძღვანელობით. სწავლობენ შუა საუკუნეების, ახ. და უახლესი პერიოდების ირან. პოლიტ., სოც.-ეკონ და კულტურის ისტორიას; ირან-საქართვ. ისტ.-კულტ. ურთიერთობას; ირანის დიპლომატიის, სპარს. დიპლომატიკის, სამართლის ისტ. საკითხებს; ირანში მოღვაწე ქართველების საქმიანობას; საქართველოს შესახებ სპარს. წყაროების და ირანის შესახებ ქართ. წყაროების ცნობებს; ირან. ქ-ებსა და საქალაქო ცხოვრებას და სხვ. (ვ. გაბაშვილი, ო. გვილავა, დ. კაციტაძე, რ. კიკნაძე, კ. კუცია. კ. ტაბატაძე, ზ. შარაშენიძე, ნ. შენგელია, გ. ჭიპაშვილი და სხვ.). შეისწავლება აგრეთვე ირან ეკონ. გეოგრაფია, ხელოვნება და ეთნოგრაფია (შ. ამირანაშვილი, ნ. ნაჭყებია). ნაყოფიერი სამეცნ.-კვლ. მუშაობაა გაშლილი ირან. ფილოლოგიაში. მთავარი პრობლემებია: ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობის (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ა. გვახარია, მ. თოდუა, დ. კობიძე, ე. მამაცაშვილი, ე. მეტრეველი და სხვ.), ინდ.-ირან ენების სტრუქტურისა და ირან.-ქართ. ენობრივი ურთიერთობის (მ. ანდრონიკაშვილი, გ. ახვლედიანი, ჯ. გიუნაშვილი, ო. თედეევა, ლ. თუშიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, თ. ჩხეიძე), კლასიკური და ახ. სპარს. ლიტ-რის (ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, დ. კობიძე, ა. გვახარია, თ. კეშელავა, ვ. კოტეტიშვილი, მ. თოდუა, კ. ფალავა და სხვ.), სპარს. ფოლკლორის შესწავლა. ნაყოფიერად მუშაობენ ქართვ. სპეციალისტები ირან. ენებზე შექმნილი ლიტ. ძეგლების ქართულად თარგმნისათვის.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, [ტ.] 1, თბ., 1966; კაციტაძე დ., ირანის ისტორიის შესწავლა საბჭოთა საქართველოში, «თსუ შრომები», 1976, ტ. 180; ფალავა კ., აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარება, კრ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1917—1957. საიუბილეო კრებული, თბ., 1957; წერეთელი გ., ჯიქია ს., აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში, «თსუ შრომები», 1959, ტ. 73; Амиранашвили Ш. Я., Иранская живопись XVIII—XIX вв., Тб., 1941; Мисиеви, Иранская станковая живопись, Тб., 1940; Бартольд В. В., История изучения Востока в Европе и России, 2 изд., Л., 1925; Дорошенко Е. А., Об исторической науке в Иране, «Вопросы истории», 1955, № 7; Кобидзе Д. И., Иранская филология в Грузии, Тб., 1971; Оранский И. М., Введение в иранскую филологию, М., 1960; Очерки по истории изучения иранских языков, М., 1962.

დ. კაციტაძე. კ. ფალავა.

ირან-ოსმალეთის ომები XVI—XVIII სს., ყიზილბაშ და ოსმალო ფეოდალებს შორის ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების, სავაჭრო-საქარავნო გზებისა და პუნქტების დასაპყრობად გაჩაღებული ომები. 1514—55 ომი მიმდინარეობდა ხანგამოშვებით. სეფიანთა სახელმწიფოს ექსპანსიით შეშფოთებულმა სულთანმა სელიმ I-მა 1514 აპრ. ომი გამოუცხადა ირანის შაჰს ისმაილ I-ს; დაიკავა ბაიბურთი, 23 აგვ. ჩალდირანის ველზე სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშთა ლაშქარი და 6 სექტ. დროებით აიღო თავრიზი; 1515 ოსმალთა სამფლობელოებს შეუერთა სომხ დას. ნაწილი, დიარბაქირი და ზულკადარის თურქ სამთავრო. 1516 მაისში ოსმალებმა გაიმარჯვეს ქოჩ-ჰისართან, 1517 დაიკავეს მარდინი, 1534—ვანი (საშხრ. სომხეთი), არჭეში, ბაიაზიდი, ოლთისი, ყარსი, არზრუმი, 1534 ბოლოს ერაყი ბაღდადითურთ (ბასრა აიღეს 1546). ოსმ. წარმატებებმა აიძულა ირანი უარი ეთქვა მცირე აზიის მიმართულებით შეტევაზე და აგრესია ამიერკავკასიისაკენ მიემართა. XVI ს. დამდეგიდან (*აგ-ყოიუნლუს* განადგურების შემდეგ) ირანი აღმ. სომხეთში გაბატონდა, 1538 მოსპო შირვანშაჰების სახელმწიფო, 1551 — შაქი სამთავრო. 1541-იდან დაიწყო შაჰ-თამაზ I-ის ლაშქრობები ქართლში. 1548—49 სულეიმან I-მა დროებით დაიკავა თავრიზი, ისპაანი და სხვ.; ირან. შაჰის მფარველობაში შესულ სამცხე-საათაბაგოში — თორთუმი, ახჩაყალა და სხვ. ციხეები. 1551 შაჰმა უკან დაიბრუნა ხლათი, არჭეში და სხვ ქ-ები. 1554 ოსმალებმა გაძარცვეს ერევანი, ნახჭევანი, ლორე; ქურთისტანში დაიკავეს ჰაჭრიზორი და ქირქუკი, ხანლიმის ციხე. 1578—90 ომში ოსმალებმა დაამარცხეს ყიზილბაშები ჩილდირის ტბასთან 1578 წ 9 აგვ., სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის დაკავების შემდეგ კი შირვანის დაპყრობას შეუდგნენ. მათ ეხმარებოდათ ყირიმის სახანოს ლაშქარი ოსმალეთმა განდევნა ირანი ამიერკავკასიიდან, დაიკავა ირან. დას. და ჩრდ. ნაწილი. 1603—12 ომი შაჰმა აბას I-მ (1587—1629) დაიწყო. 1603—04 მან ოსმალები განდევნა აზერბაიჯანიდან, დასავ. ირანიდან, 1605—აღმ. სომხეთიდან, 1606—ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან (ახალციხე მალეე აიღეს ოსმალებმა), 1607 — შირვანიდან. 1616—19 ომი. ოსმალებმა ისარგებლეს ირანის წინააღმდეგ; კახეთისა და შირვანის 1615 აჯანყებანი და 1616 დაიწყეს ლაშქრობა. დაიკავეს ყარსი, ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს ერევანი და ნახჭევანი. 1618 ყირიმელმა თათრებმა დაარბიეს ჯულფა და განგაგრძეს მაგრამ ოსმალეთან ერთად დამარცხდნენ თავრიზის რ-ნში. 1623—39 ომი 1623—24 ირანმა დაიკავა არაბ. ერაყი და ჩრდ. შუამდინარეთი 1624 ოსმალები განდევნა სამცხე-ჯავახეთიდან, მაგრამ ოსმალეთმა ისარგებლა გ. სააკაძის აჯანყებით შედეგად ირანის დასუსტებით და 1625 ბოლოს დაიკავა ახალციხე და ახალქალაქი; თუმცა 1627 ირანმა კიდევ ერთხელ დაიკავა ეს ქალაქები ოსმალები ამ მხარეს საბოლოოდ 1635 დაეუფლნენ. იმავე წელს ოსმალეთმა დაიკავა ერევანი და თავრიზი 1638 — ბაღდადი (ირანელთა ხელთ იყო 1623-იდან). 1723—27 ომი. 1726 ოსმალებმა დაიპყრეს აღმ. საქართველო; აიღეს თბილისი, 1724—25 — აღმ. სომხეთი, განჯა-ყარაბაღი, შირვანი, აზერბაიჯანი, ჰამადანი, ყაზვინი. 1727 მათი წინააღმდეგ სვლა შეაჩერეს ისპაანთან. ოსმ. აგრესიული ზრახვებით შეშფოთებულმა რუსეთმ

722—23 დაიკავა კასპიის ზღვის სანაპირო ;არუბანდიდან ენზჭლიმდე და 1724 ივნ. ელშეკრულებით ოსმალეთთან ერთად განაწილა სეფიანთა სამფლობელო ამიერავკასიაში. 1730—36 ომი დაიწყო რან. ფაქტობრივმა მბრძანებელმა ნა;ირ-ხანმა. მან განდევნა ოსმალები სამხრ. ზერბაიჯანიდან და დას. ირანიდან. 1733 ეიჭრა არაბ. ერაყში. 1734—35 წაართვა ოწინააღმდეგეს ჩრდ. აზერბაიჯანი, აღმ. ომხეთი და აღმ. საქართველო. 1743—6 ომი. 1744 სექტ. ნადირ-შაჰმა ალყა ემოარტყა მოსულს, ივლ.-ოქტ. — ყარსს, 745 წ. 23 აგვ. დაამარცხა ოსმალები ერენის დას-ით, მაგრამ წარმატების გამოყენება ვერ შეძლო. 1775—79 ომი. ქერიმ-ხან ზენდმა ისარგებლა ოსმ. მარცხით ;უსეთთან ოსმალეთის 1768—74 ომში და 775 ლაშქარი გაგზავნა ბასრის დასაკაებლად, რ-იც ამ დროს ინგლ. ოსტინდოეთის სავაჭრო კომპანიის ფაქტორიის გახსის გამო დიდ როლს ასრულებდა ვაჭრობაში ინდოეთსა და სპარს. ყურეს შორის ;ა მეტოქეობას უწევდა ბუშირს. 1776, ანგრძლივი ალყის შემდეგ, ირანელებმა უშირი აიღეს, მაგრამ ქერიმ-ხანის გარ;ეცვალების შემდეგ, 1779, თვითონვე დაოვეს.

წყარო: ბითლისი შერეფ-ხანი, chéref-Nameh..., v. 1—2, St.-Pb., 1860—2 (სპარს. ტექსტი); პასან რუმლუ, ბსან ათ თავარიხ (საუკეთესო ისტორია), d. by C. H. Seddon, v. 1—2, Baroda, 1931—4 (სპარს. ტექსტი და შემოკლ. ინგლ. თარგმ.).

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ქართული ;იპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ნტიოსმალური კოალიციები XVI—XVII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ის;ორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; ჩოჩიევი ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საართველო, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; მი;ი ვ., ირანისა და ოსმალეთის 1736 და 1746 ლების საზავო ხელშეკრულებები, «ოსუ შრომები», 1962, ტ. 99; Иванов М. С., Очерк истории Ирана, М., 1952.

ვ. ჩოჩიევი.

;რან-ოსმალეთის საზავო ხელშეკ;ულებები XVI—XVIII სს., 1555 ელშეკრულება, ამასიის ზა;ი (ამასია, 29 მაისი); ხელშეკრულებით ;რიე სახელმწიფოს დარჩა ტერიტ., რ-საც ;ლობდნენ ზავის დადების მომენტში: ;ეფიანთა ირანს — შაქი, შირვანი, ყარაალი, აღმ. სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმ. ურთისტანი; ოსმალეთს — არაბ. ერაყი, ;ას. ქურთისტანი, დას. სომხეთი, სამცხეაათაბაგოს სამხრ.-დას. ნაწილი. საქართვ. ;ანარჩენი ტერიტ. ირანმა და ოსმალეთმა ;ავლენის სფეროებად გაინაწილეს: ირან;ა ცნო ოსმ. უზენაესი ხელისუფლება დას. ;აქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა — ირა;ისა აღმ. საქართველოზე. 1590 ხელ;ეკრულებით (სტამბოლი, 21 მარ;ი) ირანმა ცნო ოსმ. გაბატონება აღმ. ომხეთში, აღმ. საქართველოში, აზერბაი;ანსა (არდებილისა და თალიშის გარდა) ;ა დას. ირანში. 1612 ხელშეკ;ულებამ (სტამბოლი, 20 ნოემბ.) ;ადგინა 1555-ის ხელშეკრულება. ირანს ;ელი არ უნდა შეეშალა 1603—12 მის მი;რ დაკავებული ქვეყნებიდან სუნიტების ;ასვლისათვის ოსმალეთში; ირანი უარს ამ;ობდა არაბ. ერაყსა და ქურთისტანში სულ;ნის წინააღმდეგ ამბოხებული ფეოდა;ების დახმარებაზე; ცნობდა სულთნის ;ზენაეს ხელისუფლებას დაღესტანზე; ;ხარს უჭერდა ოსმ. მოთხოვნას თერგის ;ეხის დანგრევისა და ჩრდ. კავკასიიდან ;უსეთის განდევნის შესახებ. მიუხედავად მისა, რომ ხელშეკრულებით ფორმალუ;ად აღდგა 1555 საზღვრები, ტერიტ. გა;ეჯვნა ამ პრინციპის საფუძველზე ვერ ;ხერხდა, რადგან ოსმალეთმა ჯარი არ ;აიყვანა სამცხე-ჯავახეთიდან და მთელი ;ესხეთი შეინარჩუნა. 1619 ხელშეკ;ულებამ (სტამბოლი, 29 სექტ.) ;ადგენილად გამოაცხადა 1555 ხელშეკ;ულებით გათვალისწინებული საზღვრები სათანადო შესწორებებით. კერძოდ: ოსმ. სამფლობელოდ იქნა ცნობილი ახალციხის საბეგლარბეგო (სამცხე-ჯავახეთი) ყველა ციხით, აგრეთვე ყარსი, რ-იც XVI ს-ში ნეიტრალურ ზონად ითვლებოდა. ახალციხის სამაგიეროდ ოსმალეთმა ირანს დაუთმო დერნის და დერთენგის სანჯაყები ბაღდადის მხარეში. ირანმა დაღესტანი ცნო სულთნის გავლენის სფეროდ. 1639 ხელშეკრულებით [სოფ. ზოჰაბი (ყასრე-შირინის ახლოს), 18 მაისი] ოსმალეთმა ამჯერად შეიერთა დერნა და დერთენგი. ირან-ოსმ. საზღვარი გადიოდა ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბაღდადისა და ბასრის აღმ-ით, ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს საქართველო, სომხეთი და ქურთისტანი. უნდა დანგრეულიყო მაქუს, კოთურის, მაღაზბერდისა და ზალიმის ციხეები, ხოლო მათი მიმდებარე რ-ნები იქცეოდა მკვდარ ზონებად, სადაც არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ჩაესახლებინა ხალხი და არ უნდა დაემუშავებინა მიწა. ხელშეკრულება ძალაში დარჩა 1723-მდე. ამ პერიოდში ირანი აგრძელებდა აგრესიას ქართლსა და კახეთში, ხოლო ოსმალეთი — დას. საქართველოს წინააღმდეგ. 1727 ხელშეკრულებით (ჰამადანი, 4 ოქტ.) აღ. მბრძანებელმა აშრაფ-შაჰმა ცნო ოსმ. გაბატონება დას. და ჩრდ.-დას. ირანში, აგრეთვე ამიერკავკასიაში. პირველად ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ისტორიაში ინიშნებოდა სავაჭრო წარმომადგენლები დედაქალაქებში. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ გადაეცათ ერთმანეთისთვის პოლიტ. ემიგრანტები — საზ-ბის მაღალი და დაბალი ფენის წარმომადგენლები. 1736 ხელშეკრულების თანახმად (სტამბოლი, 17 ოქტ.) ირანი და ოსმალეთი უნდა გამიჯნულიყო 1639 ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრის შესაბამისად. მხარეები თავს იკავებდნენ მაღალი ბაჟების დაწესებისაგან, რათა ვაჭრობა არ შემცირებულიყო. ოსმ. ხელისუფლებას უნდა გაეთავისუფლებინა ტყვეები. მექისა და მედინის გარდა ირანელებს უფლება ეძლეოდათ შიიტების სათაყვანებელი ადგილების — ბაღდადის, ნაჯაფისა და ქარბალის მოხილვისა. 1736 ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. 1746 ხელშეკრულებამ (ქერდანი, 4 სექტ.) აღადგინა 1639 საზღვარი. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ თავი შეეკავებინათ მტრული მოქმედებისაგან. 3 წელიწადში ერთხელ გაიმართებოდა ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა „მეგობრობისა და კავშირის დასადასტურებლად". ბაღდადში, ნაჯაფსა და ქარბალაში მიმავალი ირანელებისაგან ოსმ. ხელისუფალთ არ უნდა მოეთხოვათ ბაჟი. ხოლო სავაჭრო საქონელზე ბაჟი უნდა დაეწესებინათ ძვ. ჩვეულებების შესაბამისად. ერთი სახელმწიფოდან მეორეში გაქცეულ პირებს თავშესაფარი არ მიეცემოდათ.

ვ. ჩოჩიევი.

ირანული ენები, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტო. დადასტურებულია უძველეს წერილობით ძეგლებში, რაც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ამ ენათა განვითარების ისტორიას დაახლ. 25—27 საუკუნის მანძილზე. ძირითადად 2 ჯგუფს განასხვავებენ: აღმოსავლურს და დასავლურს. გამოიყოფა ი. ე-თა განვითარების 3 პერიოდი: 1. ძვ. ი. ე. — ძვ. წ. II ათასწლ. დამდეგიდან ძვ. წ. IV—III სს-მდე — მიდიური, ძვ. სპარსული, აეესტური და სკვითური; ძვ. ი. ე. ფლექსიური ენებია, სახელს აქვს სქესის (3), ბრუნვის (8), რიცხვის კატეგორიები. ზმნის კატეგორიებიდან აღსანიშნავია პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი. 2. საშ. ი. ე. — ძვ. წ. IV—III სს-იდან ახ. წ. VIII—IX სს-მდე — ე. წ. საშ. სპარსული, პართული; აღმ. საშ. ი. ე-ია სოღდური, ხორეზმული, საკა, ტოხარული და სხვ. საშ. ი. ე-ში ფლექსია მოშლილია: მახვილის გადაწევის შედეგად მოიკვეცა ბოლოკიდური ელემენტები — ბრუნვისა და სქესის სუფიქსები, ფართო გასაქანი მიეცა აღწერით წარმოებას, ცვლილებები განიცადა ბგერითმა სისტემამ: საშ. ი. ე-ავის დამახასიათებელია დიფთონგების მონოფთონგიზაცია (ai > ē, au > ō), ხშულთა სპირანტიზაცია და სხვ. 3. ახ. ი. ე. — IX—X სს-იდან. ეს ენებია: ახ. სპარსული (ირანის ოფიც. ენა), ტაჯიკური (ტაჯ. სსრ-ში და სხვ.), ავღანური ანუ პუშტუ, ოსური (ჩრდ.-აღმ. ირანული ენა), ქურთული (ირანში, ერაყში, თურქეთში და სხვ.), ბელუჯური (ბელუჯისტანში, აგრეთვე ავღანეთში), თათური (აზერბ. სსრ სამხრ.-დას-ში და დაღ. ასსრ-ში), თალიშური (აზერბ. სსრ ჩრდ.-დას-ში და ირანში) და სხვ.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, [ტ.] 1, თბ., 1966; Очерки по истории изучения иранских языков, М., 1963.

თ. ჩხეიძე.

ირაპუატო (Irapuato), ქალაქი მექსიკაში, გუანახუატოს შტატში, მექსიკის მთიანეთის სამხრ. ნაწილში, მდ. ლერმის აუზში. 140 ათ. მცხ. (1975). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ელ-ბანიოს სას.-სამ. რ-ნის პროდუქციის გადამუშავება. კვების (მრეწვ. პროდუქციის ღირებულების 3/4), საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, ქიმ. მრეწველობა.

ა. ირასეკი.

ირასეკი, ირასეკი (Jirásek) ალოის (23. VIII. 1851, ჰრონოვი, — 12. III. 1930, პრაღა), ჩეხი მწერალი. დაამთავრა პრაღის უნ-ტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1870-იდან. ი-ის ნაწარმოებებში აისახა ჩეხიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ეროვნ. და სოც. პრობლემატიკას ეხმაურება მისი „ძველი ჩეხური თქმულებები" (1894). ჰუსიტური მოძრაობა ი-ს წარმოდგენილი აქვს სახალხო ანტიფეოდ. მოძრაობად (რომანები „დინებათა შორის", 1887—90, „ჰუსიტთა მეფე", 1916—20 და სხვ.). ეროვნ. აღორძინების თემას მიუძღვნა რომანების ციკლი „ჰერცოგის კარზე" (1877), „ფ. ლ. ვეკი" (1888—1906) და სხვ. *თეთრი მთის ბრძოლა* და ეროვნ. დამოუკიდებლობის დაკარგვაა აღწერილი რომანებში „სკალაკი" (1875), „კლდეები" (1886) და სხვ., აგრეთვე პიესებში „იან ჟიჟკა" (1903), „იან ჰუსი" (1911). ი-ს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჩეხ. რეალისტური დრამის განვითარებაში.

თხზ.: Соб. соч., т. 1—8, М., 1955—58.

ირაციონალიზმი (<ლათ. irrationalis— არაგონივრული), იდეალისტური ფილოსოფიის მიმდინარეობა, რ-იც უარყოფს ან ზღუდავს გონების შემეცნებითს უნარს. უპირისპირდება *რაციონალიზმს*. ირაციონალური საწყისი სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი (ნებელობა, ქვეცნობიერი იმპულსი, წარმოსახვა და სხვ.). ირაციონალისტური მიმდინარეობების ფილოს. პოზიცია არ არის ბოლომდე გარკვეული, რადგან ზოგიერთი მათგანი საწყისად, პირველადად მიიჩნევს ადამიანის ფსიქიკის ელემენტებს და სუბიექტურ-იდეალ. თვალსაზრისს იცავს, ზოგიერთი კი ააბსოლუტებს ამ ელემენტებს, ცდილობს შექმნას ი-ის ობიექტურ-იდეალ. ნაირსახეობა (მაგ., ა. შოპენჰაუერის „ნებელობის მეტაფიზიკა").

ი-ისა და რაციონალიზმის ბრძოლა ფილოს. ისტორიის წინააღმდეგობრივი განვითარების თავისებური გამოხატულებაა. შუა საუკუნეებში *სქოლასტიკის* რაციონალისტურ პრეტენზიებს უპირისპირდებოდა *მისტიკის* ირაციონალისტური თვალსაზრისი; ახ. დროში ი-ისა და რაციონალიზმის ბრძოლა უფრო შეზღუდული იყო. ამ პერიოდში განმანათლებლობის რაციონალიზმს უპირისპირდებოდა „გრძნობისა და რწმენის" ფილოსოფია (ფ. ჰ. *იაკობი*), შელინგის „გამოცხადების ფილოსოფია", ა. შოპენჰაუერის ვოლუნტარიზმი, ფ. ნიცშეს, ე. ჰარტმანის შეხედულებანი და სხვ.

კ. ირდი.

ირემასოკო.

ქ. ირემაძე.

ამ ირაციონალისტური მიმდინარეობების ბრძოლა მიმართული იყო არა მხოლოდ მატერიალიზმის, არამედ რაციონალისტური იდეალ. მიმდინარეობების, კერძოდ, გერმ. კლასიკური ფილოს. წინააღმდეგაც.

XIX—XX სს. ირაციონალისტური ტენდენციები ბურჟ. ფილოსოფიაში ბურჟ. კულტურის საერთო კრიზისის გამოხატულებაა. ეს ტენდენციები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სიცოცხლის ფილოსოფიაში, ეგზისტენციალიზმისა და ნეოპოზიტივიზმის ზოგიერთ ნაირსახეობაში. თანამედროვე ბურჟ. ფილოსოფიაში O. მეცნიერული დიალექტ.-მატერიალ. ფილოსოფიისადმი მიმართული მტრული ტენდენციაა.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Из ранних произведений. М., 1956; Современная буржуазная философия, М., 1978; XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970 *გ. ასათიანი.*

ირაციონალური გამოსახულება, ალგებრული გამოსახულება, რ-იც შეიცავს რადიკალებს. მაგ., $\sqrt{x^2+y^2}$, $\sqrt[5]{a^3+b^3}$.

ირაციონალური განტოლება, განტოლება, რ-იც შეიცავს უცნობს რადიკალის ნიშნის ქვეშ (ფესვის ქვეშ). მაგ., $\sqrt{x^2+1}=5$.

ირაციონალური რიცხვი, რიცხვი, რ-იც არ არის რაციონალური (ე. ი. მთელი ან წილადი). ნამდვილი O. რ. შეიძლება წარმოვადგინოთ უსასრულო არაპერიოდული ათწილადის სახით. მაგ.: $\sqrt{2}=1{,}41\ldots$, $\pi=3{,}14\ldots$ ირაციონალური ფარდობის არსებობა (მაგ., კვადრატის დიაგონალის მის გვერდთან ფარდობის ირაციონალურობა) ცნობილია ძველთაგანვე. π რიცხვის ირაციონალურობა დაადგინა გერმ. მათემატიკოსმა ი. *ლამბერტმა* (1766). O. რ-ის ზუსტი თეორია კი XIX ს. II ნახევარში შეიქმნა. O. რ-ები იყოფა არარაციონალურ *ალგებრულ რიცხვებად* და *ტრანსცენდენტურ რიცხვებად.* იხ. აგრეთვე *რიცხვი.*

ირაჯ მირზა ჯალალ ალ-მამალექ (X. 1874. თავრიზი, — III. 1926, თეირანი), სპარსელი პოეტი. დაიბადა გაღარიბებული ყაჯარი პრინცის ოჯახში. მიიღო კარგი განათლება. შეეძლო კარის პოეტი გამხდარიყო, მაგრამ ხალხის სამსახური არჩია. ირანის რევ. აღმავლობის წლებში მისი პოეზია დემოკრ. და ანტიიმპერიალ. იდეებით იყო გამსჭვალული („მუშა და დამქირავებელი"). იბრძოდა რელიგ. ფანატიზმის, ქალის უუფლებობის, ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. თანაუგრძნობდა გაღატაკებულ მშრომელ მოსახლეობას (პოემა „არეფნამე", „შეიხის ცრემლები", „ჩადრი" და სხვ.). ავტორია დედისადმი მიძღვნილი ლექსების ცნობილი ციკლისა („დედა", „დედის გული", „საბრალო დედა", „დედის ზრუნვა"). O. მ-ს გულთბილმა საბავშვო ლექსებმა საფუძველი ჩაუყარა ირანის საბავშვო ლიტერას. იბრძოდა სახალხო ლიტ-რისათვის.

ლიტ.: Ворожейкина З. Н., Иредж-Мирза, М., 1961.

ირბიდი, ქალაქი ჩრდ. იორდანიაში, ირბიდის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 134 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზების კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (ხორბალი, ქერი, ზეთისხილი) სავაჭრო ცენტრი. საოჯახო ნივთების შინამრეწველური წარმოება.

ირბისი (Panthera uncia), მტაცებელი ძუძუმწოვარი *კატისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 130 *სმ,* მასა 26—40 *კგ.* ბოლისფერ-ნაცრისფერი, თითქმის თეთრი ბალანი როზეტებრი მუქი ხალებით აქვს მოფენილი. გავრცელებულია ცენტრ. აზიის მაღალმთის ზონაში (3000-იდან 5000 *მ*-მდე). ნადირობს ღამით, ზოგჯერ დღისითაც (ნისლიან ამინდში). იკვებება ჩლიქოსნებით, კურდღლებით, ფრინველებით. მაკეობა 3 თვემდე გრძელდება. შობს 3—5 ბოკვერს. მეცხოველეობას ზიანს თითქმის არ აყენებს. სსრკ-ში O-ის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. *რ. აკალიანი.*

ირბის სრუტე, რიგის ყურისა და ბალტიის ზღვის შემაერთებელი სრუტე. მდებარეობს კონტინენტურ ნაპირსა და კ. საარემაას სამხრ. დაბოლოებას შორის. სიგრძე 65 *კმ,* უმცირესი სიგანე (დას. შესასვლელთან) 33 *კმ.* გაბატონებული სიღრმეებია 10—20 *მ,* შუა ნაწილში 20 *მ*-ზე მეტი. ცივ ზამთარში იყინება.

ირბიტი, ქალაქი რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. ირბიტისა და ნიცის (ობის აუზი) შესართავთან. რკინიგზის სადგური სვერდლოვსკ—ტავდის ხაზზე. 52 ათ. მცხ. (1977). მოტოციკლების, ავტომისაბმელების, მინის, ქიმ.-ფარმაცევტული, ავეგრის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა და სხვ. მოტოციკლების ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სურათების გალერეა.

ირგანი, სოფელი დმანისის რ-ნში, ლორის ვულკ. პლატოზე. სოფსაბჭო. ზ. დ. 1870 *მ,* დმანისიდან 75 *კმ.* მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. ყველ-კარაქის ქ-ნა. საშ. სკოლა, ბ-კა, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ირდი კაარელ [დ. 14 (27). VIII. 1909, რიგა], საბჭ. რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე, პედაგოგი, სსრკ სახ. არტისტი (1970). სკკპ წევრი 1940-იდან. 1934—36 სწავლობდა ქ. ტარტუს დრამ. ხელოვნების სტუდიაში. 1940-იდან ხელმძღვანელობს თეატრ „ვანემუინეს" (ტარტუ), სადაც გაერთიანებულია სასცენო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრი — ოპერა, დრამა, ოპერეტა, ბალეტი. O. დგამს როგორც საოპერო (პროკოფიევის „ნიშნობა მონასტერში", 1962; შოსტაკოვიჩის „კატერინა იზმაილოვა", 1966 და სხვ.), ისე დრამ. (შექსპირის „კორიოლანი", 1964; ბრეხტის „გალილეის ცხოვრება", 1961 და სხვ.) სპექტაკლებს. სსრკ სახელმწ. პრემიის (1967) და ესტ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

ირეალური (გვიანდ. ლათ. irrealis — არანივთიერი, არარეალური), რეალურის საპირისპირო (იხ. *რეალობა*), მხოლოდ აზრში არსებული; წარმოსახულის, ფანტასტიკურის, შეუძლებლის სინონიმი.

ირეგულარული ჯარი (გვიანდ. ლათ. irregularis — არასწორი), ჯარი, რ-საც არა აქვს მყარი და მუდმივი ორგანიზაცია, ან თავისი დაკომპლექტებით, სამსახურით, სწავლებითა და ფორმის ტანსაცმლით საგრძნობლად განსხვავდება რეგულარული ჯარისაგან. რუსეთში რეგულ. არმიის შექმნის შემდეგ (XVIII ს. დასაწყისი) მსუბუქი კავალერიისა და კაზაკთა ჯარების სახით O. ჯ-ც არსებობდა. XX ს. დასაწყისში O. ჯ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ დაღესტნისა და ყუბანის მილიცია, დაღესტნის ცხენოსანთა პოლკი და თურქესტანის ცხენოსანთა დივიზიონი. XVIII—XIX სს-ში O. ჯ. იყო აგრეთვე ავსტრიასა და თურქეთში, XX ს. დასაწყისში—ბრიტ. და საფრ. კოლონიებში, თურქეთში, ირანში და ავღანეთში. I მსოფლიო ომის შემდეგ (1914—18) O. ჯ. ყველა სახელმწიფოში დაშალეს.

ირეთელი პოლიო (ნამდვ. სახელი და გვარი პოლიევქტოს ანტონის ძე კალანდაძე) (9. I. 1876, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 10. IV. 1931, თბილისი), ქართველი მწერალი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში, საიდანაც 1893 გარიცხეს რევ. საქმიანობისათვის. 1895—98 მასწავლებლობდა. 1899-იდან მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოში. რევ. მოღვაწეობისათვის 1901 დააპატიმრეს, ხოლო 1903 გადასახლეს ირკუტსკის გუბერნიის სოფ. ირეტში (აქედან არის ფსევდონიმი „ირეთელი") მისი პირველი კორესპონდენცია (წერილი „ქადაგები ბორბალოში") 1895 გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნდა. 1899-იდან „კვალში" ბეჭდავდა სატირულ მოთხრობებს და მინიატიურებს. იყო იუმორისტული ჟურნალების „შუამავლისა" (1908) და „სალამურის" (1911) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რედაქტორობდა ჟურნ. „სხივს" (1910). 1908 სცენაზე დაიდგა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა O-ის პოლიტიკურად მახვილი, ოტაბ. პიესა „დამარცხებულნი" მასვე ეკუთვნის პიესები „ბედნიერი დღე" (1913), „პირველი ზარი", „ფოლადის კაცი" (1924), „ნიაღვარი" (1925), ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით გადაკეთებული „ქრისტინე" და „ჩვენი ქვეყნის რაინდი" (სათაურით „სოფლის გმირები")

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ O. თანამშრომლობდა ჟურნალებში „მნათობში", „ტარტაროზსა" და „ნიანგში". წერდა მოთხრობებს, რ-თაგან აღსანიშნავია „ზღვის ნიაღვარი" (1924), მიძღვნილი ბაქოს 26 კომისრის სადმი. თარგმნა ლ. ტოლსტოის „აღდგომა" (1904, „ივერიის" პრემია).

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1946; კეფელი. მოთხრობები მოგონებები. პიესები. თბ., 1964.

ვ. ცისკარიძე

ირემასოკო (Sarcodon imbricatus) ქუდიანი საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. ქუდის დიამეტრია 5—20 *სმ,* მისი ზედაპირი ღაფარულია სქელი, დიდი კონცენტრულად განწყობილი მუქი ყავისფერი ქერცლით. ქვედა მხარეს აქვს ფეხისკენ წაწვეტებული თეთრი ეკლები, რ-ებიც სოკოს მომწიფებისას უკვე მოყავისფროვანი ფეხის სიგრძეა 2—6 *სმ,* ცილინდრული ფორმა აქვს, თეთრია, ძირში ყავისფერი იზრდება ნაძვნარში, ფიჭვნარსა და შერეულ ტყეებში ზაფხულში და შემოდგომაზე იფშეება ნორჩი. *ი. ნახუცრიშვილი.*

ირემაძე ქეთევან ნიკოლოზის ასული [6 (21).IX. 1912, თბილისი,—19. VIII. 1945 იქვე], ქართველი საბჭ. მწერალი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1931). მას ეკუთვნის ლიტ. წერილები და ნარკვევები ბ. ჯორჯაძის, ნ. ორბელიანის, ე. გაბაშვილის, შ. არაგვისპირელის, ჭ. ლომთათიძის, აბატ პრევოს, ბ. კონსტანტინის, ა. დიუმას, გ. დე მოპასანისა და სხვ. შესახებ, ისტ.-ლიტ. ნარკვევები „ჩერქეზი ქალი აისე", „ქართველი ქალები" დაუმთავრებელი ისტ. რომანი „ქეთევან" და სხვ. ქართულად თარგმნა აბატ პრევოს, დ. დიდროს, ბ. კონსტანტინის, გ. დე მოპასანის, ი. ტინიანოვის თხზულებანი, ქართულიდან რუსულად—ე. ნინოშვილის მოთხრობები.

თხზ.: ლიტერატურული მედალიონები, თბ., 1946; ლიტერატურული სილუეტები, ტფ., 1932 (ყდაზე — 1933) (თანაავტ.: შ. რადიანი)

ლიტ.: ქეთევან ირემაძე. კრებული, თბ., 1945. *ვ. ცისკარიძე.*

ირემაძეები, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (დიდაჭარის სოფსაბჭო), მდ. ლორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 1020 *მ,* ხულოდან 10 *კმ.* დიდაჭარის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, საღამოს (ცვლიანი) სკოლა, ბ-კა, საფერშლო სამეანო პუნქტი.

ირემასოჭო ((Lucanus cervus), მწერი *ხოჭოების* რიგისა; სსრკ-ის ფაუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხოჭოა. მამალი O-ს სხეულის სიგრძე 7 *სმ* აღწევს. დიდი თავი და ირმის რქებისმაგვარი უზარმაზარი ყბები აქვს. სხეული შავია, ზედა ფრთები—მოყავისფრო მურა. სსრკ-ში გვხვდება აღმ. ევროპით სამხრ.-დას. ურალამდე, კავკასიაში, საქართველოში O-ს 6 სახეობაა აღრიცხული

ირბისი.

ი. იკვებება ხიდან (უმთავრესად მუხი-ან) გამონაღები წვენით. ი-ს მატლი ცხოვ-ობს ლპობად მერქანში, მისი განვითა-ება 4—6 წელს გრძელდება. ი-ს ზიანი ბ მოაქვს.

რემი (Cervus), წყვილჩლიქოსან ცხო-ელთა გვარი ირმისებრთა ოჯახისა. თი-ო რქაზე შეიძლება 10-ზე მეტი ტოტიც ქონდეს. კისერზე მოკლე ფაფარი აქვს. ეკრი ხალებიანია, მოზრდილი — ერთ-ერი. კუდის არეში აქვს სხვადასხვა სი-იდის „სარკე". გავრცელებულია ევრო-ის, აზიის (უმთავრესად სამხრ. და სამხრ.-ღმ. ნაწილის), ჩრდ. ამერიკის ტყეებში. ერთიანებს 6 ქვეგვარის 13—14 სახეობას. ირკ-ში გვხვდება 3 სახეობა — *კეთილშო-ელი ირემი, ხალებიანი ირემი* და *ირემ-ალი*. საქართველოში გვხვდება კეთილ-ობილი ი. სანადირო და სარეწაო ცხოვე-ებია. ნახევრად მოშინაურებული ი-ების ირჩ რქებს — პანტებს იყენებენ პანტო-რინის დასამზადებლად. ნადირობა უმ-ავრესად აკრძალულია. აკლიმატიზებუ-ია ახალ ზელანდიაში, სამხრ. ამერიკაში ა სხვ. *რ. ავალიანი.*

რემლალი (Cervus dama), ძუძუმწოვა-ი ცხოველი *ირმისებრთა* ოჯახისა. მისი ბეულის სიგრძე 130 *სმ* აღწევს. მასა 90*კგ*. აფხულობით ჟანგისფერ-მოწითალო, ეთრხალებიანი, ზამთრობით ნაცრისფერ-ერა ფერს იღებს. გვხვდება თეთრი ან შა-ი ი-ც. გავრცელებულია მცირე აზიისა ა ჩრდ.-დას. აფრიკის ტყეებში. იკვებება ალაზით, ფოთლებით, სოკოებით, ნაყო-ით. შობს 1—2 ნუკრს. მრავალი ქვეყნის ბ. შ. სსრკ) პარკებსა და ნაკრძალებში -ს აშენებენ როგორც დეკორ. და სანადი-ო ცხოველს. ველური ი. გვხვდება მხო-ოდ სამხრ. ირანში (ისიც რამდენიმე ათე-ლი), სადაც საგანგებოდ იცავენ.

რ. ავალიანი.

რესინე (Iresine), მცენარეთა გვარი ოფლაფასებრთა ოჯახისა. მრავალწლო-ანი ბალახები, ბუჩქ-ბალახები, იშვია-ად ბუჩქები ან ხეებია. აქვთ მორიგეობით ანწყობილი ფოთლები და კენწრულ ან ბის ყვავილედებად თავმოყრილი უფე-ული ყვავილები. 70-ზე მეტი სახეობა ფრო ტროპ. და სუბტროპ. ამერიკაშია ავრცელებული. ზოგ ჭრელფოთლიან სა-ეობას მდელო-ხალიჩებისა და ბორდიუ-ებისათვის იყენებენ.

რვინგი (Irving) უოშინგტონ (3. IV. 783, ნიუ-იორკი, — 28. XI. 1859, ტარი-ტაუნი), ამერიკელი მწერალი; რომანტიზ-ის მამამთავარი, ნოველის ჟანრის ფუძე-ლებელი, ინდიელთა ცხოვრების ამსახვე-ი თემატიკის შემომტანი ამერ. ლიტ-ატურაში. ი-ის ბურლესკურ-კომიკური ქრო-იკა „დიდრიხ ნიკერბოკერის ნიუ-იორკის ისტორია" (1809) მბაჯერი პოლიტ. სატი-ა და ამერ. აწმყოს, წარსულისა და ოლონ. პერიოდის პოეტიზაციაც. ლაკო-ურზმით გამოირჩევა მისი ნოველების კრებ. ჯოფრი კრეიონის, ჯენტლმენის ჩანახა-ები" (1819—20) და სხვ. ი-ის ნაწარმოე-ებისთვის დამახასიათებელია სიუჟეტის ხვილგონიერი და ეფექტური განვითა-ება, რეალისტური და ფანტასტ., სერი-ზული და კომ. ელემენტების ოსტატური ონაცვლეობა.

თხზ.: Works, v. 1—12, N. Y., 1910; [წი-ში] ამერიკული ნოველა, ტ. 1, თბ., 1967.

ლიტ.: История американской литера-уры, ч. 1, М., 1971.

რვინგი (Irving) ჰენრი (ნამდვ. სახე-ი და გვარი ჯონ ჰენრი ბროდ-ი ბი; Brodribb) (6. II. 1838, კლენტო-ი, — 13. X. 1905, ლონდონი), ინგლისე-ი მსახიობი, რეჟისორი, თეატრალური

ღვაწე. 1856-იდან გამოდიოდა პროვინ-ციის თეატრებში. 1866-იდან მოღვაწეობდა ლონდონში. ი-სა და მსახიობ ელენ ტერის ემოქმედებითმა თანამეგობრობამ ეპოქა ქმნა ინგლ. თეატრის ისტორიაში. ი-მა ინგლ. სცენაზე აღადგინა შექსპირის პიე-ები და უდიდესი წარმატებით შეასრულა ოტელოს, მაკბეთის, რიჩარდ III-ისა (შექს-პირის „ოტელო", „მაკბეთი", „რიჩარდ III") და სხვ. როლები. ჰამლეტის როლის ბრწყინვალე შესრულებით (200-ჯერ) ი-მა დიდი ირიტ. ერთ-ერთი საუკეთესო მსა-ხიობის სახელი დაიმკვიდრა. ი-ის რედაქ-ციით გამოვიდა შექსპირის სასცენო ტექს-ტები. ხშირად მართავდა გასტროლებს აშშ-ში და გავლენა მოახდინა ამერ. თეატ-რის განვითარებაზე. ინგლ. მსახიობთა შორის პირველად ი-ს ზიენიჭა თავადის ტიტული (1895).

რვინი (Irwin) ჯეიმზ(დ. 17. III. 1930, პიტსბურგი, პენსილვანიის შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საჰაერო ძა-ლების პოლკოვნიკი. 1966-იდან აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმ. სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს კოსმონავტთა რაზმშია. 1971 წ. 26 ივლ. — 7 აგვ. დ. *სკოტთან* და ა. *უორდენთან* ერთად მონა-წილეობდა მთვარეზე გაფრენაში, როგორც კოსმ. ხომალდ „აპოლონ 15-ის" მთვარის კაბინის პილოტი. მთვარის კაბინა, რ-შიც იყვნენ ი. და დ. სკოტი, 31 ივლ. დაეშვა მთვარეზე წვიმების ზღვის აღმ. ნაპირზე. ი-მა მთვარეზე დაჰყო 66 *სთ* და 55 *წთ*, 3-ჯერ გამოვიდა მთვარის ზედაპირზე (სრული ხანგრძლივობა 18 *სთ* და 37 *წთ*). მთვარეზე გადასაადგილებლად კოსმონავ-ტები მთვარემავალს იყენებდნენ.

ირი, სოფელი ონის რ-ნში (წედისის სოფ-საბჭო), მდ. ჯეჯეორის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 1200 *მ*, ონიდან 15 *კმ*. ი-შია ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველო, ბარი-ტის გამამდიდრებელი ფ-კა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტსახლი (კინოდანად-გარი), ბ-კა, საავადმყოფო, მედპუნქტი, კავშირგაამ. განყ-ბა.

სოფელი წყაროებში პირველად მოხ-სენიებულია XIII ს-ში. შემორჩენილია ადრინდ. ფეოდ. ხანის ეკლესიის ნანგრე-ვები. სოფლის მახლობლად გზის პირას ტყეში აღმართულია X ს. მოჩუქურთმებუ-ლი კანკელის ფილა. მორთულობის ხასია-თით უახლოვდება ფოთოლეთის კანკელს (საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). როგორც ჩანს, ადრე აქ მდგარა ეკლესია, რ-ისგანაც აღარაფერი დარჩა ამ ფილის გარდა.

ირიბი ბრუნვა, ევროპულ გრამატიკულ ტრადიციაში ყველა არასახელობითი ბრუნ-ვის საერთო სახელი. ი. ბ-ის ფორმა აქვს წინადადების ისეთ წევრებს, რ-ებიც ზმნის აგებულებაზე გავლენას ვერ ახდენენ (ვერ მართავენ, ვერ ითანხმებენ), თვითონ მათ კი ზმნა მართავს. ქართულში (და ერგატიული კონსტრუქციის მქონე სხვა ენებში) ი. ბ-ს არ წარმოადგენს არა მხო-ლოდ მოთხრობითი ბრუნვა (რამდენადაც იგი „ქვემდებარის" ბრუნვაა), არამედ არც „პირმიმართი დამატების" ბრუნვები—სა-ხელობითი და მიცემითი (ამგვარი „დამა-ტებები" ზმნას პირში მართავენ და ზოგ შემთხვევაში რიცხვში ითანხმებენ). ამის გამო ი. ბ-ის ცნება ქართ. ენობრივი სი-ნამდვილისათვის უცხოა.

ირიბი დამტკიცება ლოგიკაში, რაიმე მსჯელობის (თეზისის) დამტკიცება, რაც ემყარება მოცემულ თეზისთან გარკ-ვეულ მიმართებაში მყოფი ზოგიერთი სხვა თეზისის უარყოფას.

ირიბი ნათქვამი, ვისიმე ნათქვამის გადმოცემა მოლაპარაკის მიერ ციტირების გარეშე. უპირისპირდება *პირდაპირ ნათქ-ვამს*. წარმოადგენს დამატებითს დამოკი-დებულ წინადადებას, რ-იც მოსდევს მთა-ვარ წინადადებას და უკავშირდება მას „რომ", „თითქოს", „რათა" კავშირებით ან უკავშიროდ. მაგ.: „მიულოცა ბეგლარ-მაც, რომელმაც გამოაცხადა, რომ რაც უნ-და დამართოდა, უსათუოდ უნდა დამთვ-რალიყო ამ სასიამოვნო შემთხვევის გამო" (დ. კლდიაშვილი).

ირიგაცია (ლათ. irrigatio — მორწყ-ვა, შესხურება) მედიცინაში, სამ-კურნალო პროცედურა, ანთებითი ქსოვი-ლის მორწყვა წყლის ან სამკურნალო სი-თხის ნაკადით. ფართოდ იყენებენ ქირურ-გიაში, უროლოგიაში, გინეკოლოგიაში და სხვ. ი-თვის დანიშნულ ცისტოსკოპებსა და ურეთროსკოპებს საირიგაციო ხელსაწყო-ებს უწოდებენ.

ირიგაცია სოფლის მეურნეობაში, ნაკლებტენიან მიწაზე წყლის გაყ-ვანა, რაც ზრდის ნიადაგის ფესვთსამყო-ფელ შრეში ტენის მარაგს; *მელიორაციის* ერთ-ერთი სახეა. უფრო გავრცელებული ტერმინია *რწყვა*.

ირიდიუმი (Iridium<ბერძნ. iris, ნათ. ბრ. iridos — ცისარტყელა, მისი მარილე-ბის სხვადასხვანაირი შეფერილობის გამო), Ir, ელემენტთა პერიოდული სისტემის VIII ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 77, ატ. მასა 192,22; $t_{ფ}$ 2410°C, სიმ-კვრივე 22400*კგ/მ*³. ბუნებაში გვხვდება ორი სტაბილური იზოტოპის—^{191}Ir(38,5%)-ისა და ^{193}Ir (61,5%)-ის სახით. ი. აღ-მოაჩინა ინგლ. ქიმიკოსმა ს. ტენანტმა 1804. ი. დედამიწის ქერქში გვხვდება იშვიათად, უმთავრესად *პლატინის* თანამგზავრია. ი. მოვერცხლისფრო-თეთრი ძალიან მყარი, ძნელდნობადი და ქიმიურად მედეგი ლი-თონია. ამ თვისებების გამო ი-ს კეთილ-შობილ ლითონებს მიაკუთვნებენ. იხ. აგ-რეთვე *პლატინის ჯგუფის ლითონები*.

ლიტ.: Рудницкий А. А., Платиноиды, М., 1959.

ირიდოციკლიტი (ბერძნ. iris, ნათ. ბრ. iridos — ცისარტყელა და kyklos — წრე, თვალი), თვალის ფერადი გარსისა და წამ-წამოვანი სხეულის ანთება. ი. შეიძლება გამოიწვიოს რევმატიზმმა, ვირუსულმა და-ავადებამ, ტიფმა, ფილტვების ანთებამ, გონორეამ, ათაშანგმა, ტუბერკულოზმა, ნივთიერებათა ცვლის მოშლასთან დაკავ-შირებულმა დაავადებამ (დიაბეტი, ნიკ-რისის ქარი), კბილებისა და ცხვირის დანამატი ღრუების დაავადებებმა, აგრეთ-ვე თვალების ტრავმამ და ა. შ. ი-ს ახასი-ათებს თვალის ტკივილი (უმეტესად ღა-მით), სინათლის შიში, ცრემლის დენა და დაავადებულ თვალში მხედველობის დაქვეითება. რქოვანა გარსის ირგვლივ ჩნდება მოწითალო-მოიისფრო გვირგვინი (პერიკორეალური ინიექცია), იცვლება ფერადი გარსის ფერი და შესახედაობა. ფერადი გარსის შეშუპებისა და თვალის მა-მოძრავებელი ნერვის დაბოლოებათა გა-ღიზიანების შედეგად ვიწროვდება გუგა. თვალზე უმნიშვნელო დაზოლაც კი იწ-ვევს ტკივილს. მძიმე შემთხვევებში შეი-ძლება განვითარდეს თვალის ფერადი გარსის უკანა ზედაპირისა და ბროლის ირ-გვლივი შეხორცება, ირღვევა თვალშიგა სითხის ნორმალური უკულენა, რამაც შეი-ძლება გამოიწვიოს მეორეული *გლაუკომა*. ზოგჯერ გუგის მიდამოში წარმოიქმნება ექსუდაციური აპკი, ეს კი ხელს უშლის თვალში სინათლის სხივების მოხვედრას და მკვეთრად აქვეითებს მხედველობას. ქრონ. ი-ის დროს ანთებითი მოვლენები უფრო სუსტადაა გამოხატული. ტუბერკუ-ლოზურ და რევმატიულ ი-ს ახასიათებს *რეციდივები*.

მკურნალობა: გუგის გამაფარ-თოებელი საშუალებანი, საფეთქელზე წურ-ბლების დასმა, თვალის მიდამოში — სით-ბო, კორტიკოსტეროიდები (ადგილობრი-ვად და შიგნით), ანტიბიოტიკები; ი-ის გამომწვევი დაავადების მკურნალობა.

ირიზაცია (<ბერძნ. iris — ცისარტყე-ლა), ოპტიკური მოვლენა; ფერთა თამაში ზოგიერთი მინერალის (მაგ., ლაბრადო-რი, კალციტი) კრისტალების წახნაგებსა და ტკეჩვადობის სიბრტყეებზე.

ირითი, მყინვარი სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალ-თაზე, მდ. მულხრის აუზში (ენგურის მარჯვ. შენაკადი). მყინვარ ტვიბერს ერ-თვის მარჯვ. მხრიდან 2750 *მ* სიმაღლე-ზე. კარულ-ხეობის ტიპისაა. ექსპოზიცია სამხრეთის, სიგრძე 2,5 *კმ*, ფართ. 2,6 *კმ*². ფირნის ხაზი ზ. დ. 3110 *მ*. *რ. შენგელია.*

ირემახოჭო: 1 — მამალი; 2 — დედალი.

ირემლალი.

უ. ირვინგი.

ჯ. ირვინი.

ირკუტსკის ოლქი. მდ. ლენა ქ. კირენსკთან.

ᲘᲠᲘᲜᲔ (Eirēnē) (დაახლ. 752, ათენი,— 9. VIII. 803, კ. ლესბოსი), ბიზანტიის დედოფალი 797—802. იმპ. ლეონ IV-ის ცოლი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იყო თავისი ვაჟის, კონსტანტინე VI-ის, მეურვე და თანამმართველი. 797 დააბრმავებინა შვილი და ერთპიროვნული ამართველი გახდა. გამოდიოდა ხატმებრძოლების წინააღმდეგ. 787 Ი-მ მოიწვია ნიკეის მსოფლიო საეკლ. კრება, რ-მაც აღადგინა ხატების თაყვანისცემა. მის დროს ბიზანტიამ რამდენიმე მხიმე მარცხი განიცადა არაბებთან და გაძლიერებულ ბულგარელებთან ბრძოლაში. Ი. ტახტიდან ჩამოაგდეს სასახლის კარზე მომხდარი გადატრიალების შედეგად.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘ, ქალაქი, რსფსრ ირკუტსკის ოლქის ცენტრი. მდებარეობს მდ-ების ანგარისა და ირკუტის შესართავთან, ბაიკალის ტბიდან 66 *კმ*. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი, დიდი აეროპორტი. 550 ათ. მცხ. (1979; 1897 წ. — 51 ათ., 1917 წ.— 90 ათ., 1926 წ. — 98 ათ., 1939 წ. — 250 ათ., 1959 წ. — 366 ათ., 1970 წ. — 451 ათ.). დაარსდა 1661 მდ. ანგარის მარჯვ. ნაპირზე როგორც ციხე-ქალაქი; 1686-იდან ქალაქია. 1764-იდან — ირკუტსკის გუბ. ცენტრი, ციმბირისა (1803-იდან) და აღმ. ციმბირის (1822-იდან) გენ.-გუბერნატორის რეზიდენცია. მონღოლეთთან და ჩინეთთან რუსეთის ვაჭრობის მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი. ცარიზმის დროს Ი. და ირკუტსკის გუბ. პოლიტ. დამნაშავეთა გადასახლების ადგილს წარმოადგენდა. გადასახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა Ი-ში ჩამოაყალიბეს პირველი ს.-დ. წრეები. 1901 შეიქმნა რსდმპ ირკუტსკის კომიტეტი. XIX ს. შუა წლებიდან ქალაქში განვითარდა მრეწველობა. ს.-დ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით Ი-ში მოეწყო გაფიცვები, გამოსვლები და დემონსტრაციები. Ი-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 22 დეკ. (1918 წ. 4 იანვ.). ამ დროიდან Ი-ში იმყოფებოდა ციმბირის საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი (იხ. *ცენტროციმბირი*). 1918 წ. ივლისში Ი. ხელთ იგდეს თეთრგვარდიელებმა. 1920 წ. 25 იანვ. ქალაქში აღდგა საბჭ. ხელისუფლება. 1920 წ. 7 მარტს Ი-ში შევიდა წითელი არმია.

საბჭ. ხელისუფლების წლებში Ი. გადაიქცა აღმ. ციმბირის ეკონ. რ-ნის დიდ სამრეწვ., სამეცნ. და კულტ. ცენტრად. Ი-ში 70-ზე მეტი სამრეწვ. საწარმოა. ქალაქის ფარგლებში მდ. ანგარაზე გაშენებულია ირკუტსკის ჰესი. განვითარებულია მანქანათსაშ., კვების და მსუბუქი მრეწველობა.

Ი-ში არის სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის ინ-ტები, უნ-ტი (1918-იდან), პოლიტექ., სას.-სამ., სახ. მეურნეობის, პედ., უცხო ენათა პედ. და სამედ. ინ-ტები, 4 თეატრი (დრამ., მუსკომედიის, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების), ფილარმონია, ცირკი, ტელეცენტრი, პლანეტარიუმი; მხარეთმცოდნეობის და სამხატვრო მუზეუმები.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ, შედის რსფსრ-ში. შეიქმნა 1937 წ. 26 სექტ. ფართ. 767,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 2560 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 78%. ცენტრი — ქ. ირკუტსკი. Ი. ო-ში შედის *უსტ-ორდის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგი*. ოლქი მდებარეობს აღმ. ციმბირში, შუა ციმბირის ზეგნის სამხრ.-აღმ. ნაწილში. გარს აკრავს აღმ. საიანი და ბაიკალისპირეთის ქედები. დიდი მდინარეებია ანგარა, ქვემო ტუნგუსკა, ლენა (ვიტიმით). Ი. ო-შია ბაიკალის ტბის დას. და სამხრ. ნაწილები. ტერიტ. უმეტესი ნაწილი ტყეს უკავია. მრეწვ. მთავარი დარგებია: სათბობი და ელექტროენერგიის წარმოება, ქიმ. და ნავთობქიმ., ცელულოზა-ქაღალდის, კვების მრეწველობა. მოიპოვება: ოქრო, ქარსი, ქვანახშირი, სუფრის მარილი. მდ. ანგარაზე გაშენებულია ბრატსკის, ირკუტსკისა და უსტ-ილიმსკის ჰესები, მდ. მამაკანზე— მამაკანის ჰესი. არის კორშუნოვის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი (რკინის მადანი). დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერად მეტალურგიას (უმთავრესად ალუმინის მრეწვ.). მარცვლეულის ნათესები (ხორბალი, ჭვავი, შვრია), მატულობს საკვები კულტურების ფართობი. მეცხოველეობა ძირითადად სარძეგვე-სახორაგე მიმართულებისაა. ჩრდ. და აღმ. საიანში აშენებენ ირემს. Ი. ო. მენადირეობის მთავარი რ-ნი (ციყვი, სიასამური). სანაოსნოა მდ-ები ანგარა, ლენა, ვიტიმი და ბაიკალის ტბა. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ა. ჟდანოვის სახელობისა, აღმოსავლეთ ციმბირის პირველი უმაღლესი სასწავლებელი. დაარსდა 1918. 1978 უნ-ტში იყო ფიზ., მათ., გამოყენებითი მათ., გეოლ., გეოგრ., ქიმ., ბიოლ.-ნიადაგთმცოდნეობის, ისტ., ფილოლ. (ბურ. განყ-ბით) იურიდ., მოსამზადებელი (მონღ. სრ. მოქალაქეთათვის) ფაკ-ტები; საღამოს დ. დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები; ას. პირანტურა; 61 კათედრა; ბიოლ., გეოგრ., გამოყენებითი ფიზ., ნავთობისა და ნახ. შირქიმ. სინთეზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, გამოთვლითი ცენტრი, მიკრობიოლ. პრო. ბლემური ლაბორატორია, ასტრონ. ობ. სერვატორია, ბაიკალის და ანგარის ბიოლ. სადგურები, ბოტან. ბაღი. 1978 უნ-ტში სწავლობდა 10 ათ-მდე სტუდენტი, მუშაობდა 730 მასწავლებელი, მ. შ. 84 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 229 მეცნ. კან. დიდატი და დოცენტი; ბ-კა (2,5 მლნ. დ. ცვითი ერთეული). უნ-ტი გამოსცემს „შრომებს“ (1932-იდან).

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲣᲖᲘ, მდებარეობს რსფსრ ირკუტსკის ოლქის სამხრ. ნაწილში. გადაჭიმულია აღმ. საიანის ჩრდ.-აღმ. კალთების გასწვრივ ქ. ნიჟნეუდინსკიდან ბაიკალის ტბამდე. 500 *კმ*-ზე საშ. სიგანე 80 *კმ*, ფართ. 42,7 ათ. *კმ*². ქვანახშირის საერთო გეოლ. მარაგი 76,3 მლრდ. *ტ* (1969), მ. შ. ბალანსური— 20,5 მლრდ. *ტ*. აუზი იყოფა ჩრდ.-აღმ. — ბაიკალისპირა და სამხრ.-აღმ. — საიანისპირა შტოებად.

1896 დაიწყო ჩერემხოვოს საბადოს დამუშავება. Ი. ძ. ა-ის სამრეწვ. ათვისება განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ წლებში. Ი. ძ. ა. აღმ. ციმბირის უდიდესი ენერგეტიკული ბაზაა, რ-იც სათბობით ამარაგებს რკინიგზის ტრანსპორტს, ელსადგურებს, კომუნ. სამრეწვ. საწარმოებს. მთავარი საბადოებია: ჩერემხოვოს, აზეის, მუგუნის, ნოვო. მეტიოლკინის, კარანცაის. ნახშირშემცველი წყება აგებულია კონტინენტური ტიპის ქვედა- და შუაიურული ნალექებით, რ-ის სისქე 100-იდან 750 *მ*-მდე აღწევს. ენერგეტიკული ნიშნებით ქვანახშირის მარაგის უდიდესი ნაწილი ჰუმუსიან ჯგუფს მიეკუთვნება, დას. ნაწილში — მუარა ნახშირია. ნაცრის შემცველობა საშუალოა (7-15%), ზოგიერთი საბადოს გოგირდშემცველობა მაღალია (საშ. 5—6%). საექსპლოატაციო სამუშაოები ძირითადად კარიერებში მიმდინარეობს. ქვანახშირის გარდ. Ი. ძ. ა-ის ტერიტორიაზე ქვამარილი (უსოლიე-სიბირსკოე), თაბაშირის (ზალარი), კაოლინის თიხების, მინისა. საყალიბე ქვიშების საბადოებია.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲘ, წყალსაცავი მდ. ანგარაზე, რსფსრ ირკუტსკის ოლქში. შეიქმნა 1956—59 ირკუტსკის ჰესის კაშხლით. ფართ. 154 *კმ*², სიგრძე 65 *კმ*, სიგანე 0,5—4 *კმ*. მდ. ანგარის შეგუბებით ბაიკალის ტბის საშ. მრავალწლ. დონე 1 [illegible] ით ამაღლდა. Ი. წ-ის ნაპირზეა ქ. ირკუტსკი. დასასვენებელი სახლები, სპორტული ბაზები, პიონერთა ბანაკები.

ᲘᲠᲙᲣᲢᲡᲙᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, ანგარის კასკადის ელექტროსადგური ქ ირკუტსკში. მდ. ანგარის სათავიდან დაშორებულია 65 *კმ*-ით. ჰესის სიმძლავრეა 660 *მეგვტ* (660 ათ. *კვტ*). დამონტაჟებულია 8 ჰიდროაგრეგატი. ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 4[illegible] მლრდ. *კვტ·სთ* უდრის. მშენებლობა მიმდინარეობდა 1950—58 წწ. ჰიდროკვანძის შემადგენლობაში: ჰესის შენობა, მიწაყრილის კაშხალი (სიგრძე 2,5 *კმ* და სიმაღლე 44 *მ*), 110 და 220 *კვ* ძაბვის ღია [illegible] ნაწილებელი მოწყობილობანი. კაშხალ[illegible]



1 უსტ-ორდის ბურიატთა ავტონომიური ოკრუგი 2 მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ემზე გაყვანილია საატ. გზა. ჰიდრ-
ქ. ნაგებობანი ამაღლებენ ბაიკალის
ის დონეს, რაც ტბის ნაწილის გამოყე-
ბის საშუალებას იძლევა. ჰესი შედის
ნტრ. ციმბ. გაერთ. ენერგოსისტემაში.
ი ელექტროენერგიით უზრუნველყოფს
ეწველობას, რკინიგზის ტრანსპორტსა
. რსფსრ ირკუტსკის ოლქის სხვა ელექტ-
ომომხმარებლებს.

ირლანდია (Ireland), კუნძული ბრიტა-
თის კუნძულების არქიპელაგში. ჩრდ-
, დას-ით და სამხრ-ით აკრავს ატლან-
ს ოკეანე, აღმ-ით — ირლანდიის ზღვა,
. გიორგისა და ჩრდილოეთის სრუტეები,
ებიც O-ს გამოყოფენ დიდი ბრიტ. კ-ები-
კან. ფართ. 84 ათ. *კმ*². გადაჭიმულია
დ-იდან სამხრ-კენ დაახლ. 450 *კმ*-ზე,
ს-იდან აღმ-კენ — დაახლ. 300 *კმ*-ზე.
დ., სამხრ. და დას. ნაპირები დანაწევ-
ბულია ყურეებით. ბევრია სანაპირო
ედოვანი კუნძული. O-ის შიგა რ-ნი უჭი-
ვს ცენტრალურ დაბლობს, განაპირა—
რითადად დაბალ და საშ. სიმაღლის
ებსა და პლატოებს. ჰავა ზომიერია,
ქანისა. იცის უხვი ნალექი. წყალუხვ
ინარეთა ხშირი ქსელი, ბევრია ტბა.
ხეა სახელმწიფო *ირლანდია*, ჩრდ.-
მ. ნაწილში — *ჩრდილოეთი ირლანდია*.

ირლანდია (Ireland), ირლანდი-
ს რესპუბლიკა (ირლ. Eire,
blacht na h-Éireann, ინგლ. Irish
epublic).

I. ზოგადი ცნობები

O. — სახელმწიფო დას. ევროპაში, უჭი-
ვს კ. ირლანდიის უმეტესი ნაწილი.
რთ. 70,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 3,2 მლნ.
ეი (1978, შეფასება). დედაქალაქი —
ბლინი. ოფიც. ენები—ირლანდიური და
ბერძნული. ეროვნ. დღესასწაულია 17
რტი—წმ. პატრიკის დღე. ოფიც. *კალენ-*
რი—გრიგორიანული. ფულის ერთეულია
ლ. გირვანქა, რ-იც უტოლდება ინგლ.
რვ. სტერლინგს. O. შედგება 4 ისტ.
ოვინციისაგან (კონაჰტი, ლენსტერი, მან-
ერი, ოლსტერი). ადმინისტრაციულად
იყოფა 26 საგრაფოდ.

II. სახელმწიფო წესწყობილება

O. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1937 კონს-
ტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება
ეთეინის ეროვნ. პარლამენტს, რ-იც შედ-
ბა პრეზიდენტისა და ორი პალატისაგან,
რმომადგენელთა პალატისა და სენატი-
კან. საარჩევნო უფლება მოქალაქეებს
ენიჭათ 21 წლიდან. სახელმწიფოს მე-
ურია პრეზიდენტი (მოსახლ. ირჩევს 7
ელით. განმეორებით არჩევა შეუძლია
ოლოდ ერთხელ). აღმასრ. ხელისუფ-
ლებას ახორციელებს მთავრობა, რ-საც
ძღვანავს პრეზიდენტი წარმომადგენელთა
ალატის წინადადებით. ადგილ. მმართველ-
ობის ორგანოებია ქალაქებისა და საგრა-
ფოების საარჩევნო საბჭოები. სასამართ-
ო სისტემაში შედის: პირველი ინსტან-
ის სასამართლოები (მაღალი სასამართ-
ო, საოკრუგო და ქალაქის სასამართ-
ოები და სხვ.) და ბოლო ინსტანციის—უზ-
ენაესი სასამართლო.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა—
. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სა-*
ელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.

III. ბუნება

O-ის ტერიტ. ნახევარზე მეტი უჭირავს
—100 *მ* სიმაღლის ცენტრალურ დაბ-
ობს. განაპირა რ-ნებში დაბალ- და სა-
ალმთიანეთის ღრმად დანაწევრებული
ზერებია ძველი მოსწორების ზედაპირე-
ი. სამხრ.-დას-ით კერის მთებია (მთა
რანტუილი, 1041 *მ*).

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშ-
ნავია ტორფი. მოიპოვება აგრეთვე ქვანა-
ახრი, ტყვიის, თუთიის, სპილენძის მადა-
, ფოსფორიტები.

ჰავა ზომიერია, ოკეანისა; იცის უმთავ-
რესად წვიმიანი, ნისლიანი და ქარიანი
ცვალებადი ციკლონური ამინდები. ზამ-
თარი რბილია, უყინვო (იანვ. საშ. ტემპ-
რა 5—8°C), ზაფხული — გრილი, ღრუბ-
ლიანი (ივლ. საშ. ტემპ-რა 14—16°C).
ნალექები 700—800 *მმ*-იდან (აღმ-ით)
1000—1500 *მმ*-მდე (დას-ით) წელიწად-
ში, მთაში — 2000 *მმ*-ზე მეტი.

მდინარეთა ქსელი ხშირია. მთავარი
მდინარეა შენონი. ტბები უმთავრესად
ტექტონ.-მყინვარული ან კარსტული წარ-
მოშობის ქვაბულებშია. უდიდესი ტბებია
ლოხ-კორიბი, ლოხ-მასკი, ლოხ-რი. გა-
ბატონებულია ტორფიან-ჭაობიან და ქვი-
შიან ნიადაგზე განვითარებული ტორფნა-
რი და მანანიანი, ეწერ ნიადაგზე მდელოე-
ბია. ტყეს (მუხა, ფიჭვი, არყი) ქვეყნის
ტერიტ. 1%-ზე ნაკლები უჭირავს.

ცხოველთა სამყარო გაღარიბებულია.
სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

VI. მოსახლეობა

მოსახლ. უმრავლესობა (დაახლ. 98%)
ირლანდიელები არიან. ეროვნ. უმცირე-
სობას შეადგენენ ინგლისელები (30 ათ-ზე
მეტი კაცი), შოტლანდიელები (10 ათ.
კაცი) — ძირითადად ცხოვრობენ ქვეყნის
აღმ. ნაწილში, აგრეთვე ებრაელები (და-
ახლ. 4 ათ. კაცი). მორწმუნე მოსახლ. უმ-
რავლესობა კათოლიკეა, მცირე ნაწილი—
პროტესტანტი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ.
28% დასაქმებულია სოფ. მეურნეობასა
და თევზჭერაში, 30% — მრეწველობასა
და მშენებლობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდ-
როეა 45 კაცი 1 *კმ*² ზე (1978). ყველა-
ზე მჭიდროდაა დასახლებული ქვეყნის
აღმ. ნაწილი. მოსახლ. დაახლ. 50% ქალაქ-
ში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია დუბლინი
(568 ათ. მცხ., 1975), კორკი, ლიმერიკი.

V. ისტორიული ნარკვევი

O-ის ტერიტორიაზე ადამიანთა საზ-ბა
დაახლ. ძვ. წ. VI ათასწლეულში გაჩნდა.
ძვ. წ. IV ს-ში ჩამოსახლებული კელტური
ტომები ადგილ. მოსახლეობას შეერწყნენ.
რომაული კოლონიზაცია O-ს არ შეხებია.
პირველყოფილი თემური წყობილება კლა-
ნური (იხ. *კლანი*) ორგანიზაციის ფორმით
გითარდებოდა (კლანის გადმონაშთები
XIX ს-მდე შემორჩა). ახ. წ. პირველ საუ-
კუნეებში თანდათან გამოიყო დიდკაცობა
და დამოკიდებული მოსახლ. სხვადასხვა
კატეგორია (მ. შ. მონები). დაახლ. III
ს-ში შეიქმნა ტერიტ. გაერთიანებები —
ტუატები, რ-თაც რიაგები (მეფეები) მე-
თაურობდნენ. ტუატების საფუძველზე შე-
იქმნა ადრინდ. ფეოდ. ტიპის სახელმწი-
ფოები. ქრისტიანობის გავრცელებამ (V ს.)
ხელი შეუწყო ფეოდ. ურთიერთობათა
განვითარებას. VIII—XI სს-ში ნორმან-
თა წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში
გაიმარჯვეს ირლანდიელთა რაზმებმა.
XII ს-ში O-ში შეიჭრნენ ინგლ. ფეოდალე-
ბი. O-ის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე შეიქმნა
ინგლ. კოლონია ე. წ. პეილი („ღობე"),
სადაც შემოიღეს მნორული სისტემა (იხ.
მანორი). პარლამენტი (1297), ე. წ. პო-
ინინგსის აქტით 1495-იდან ინგლ. პარლა-
მენტსა და მეფეს დაემორჩილა. ინგლისელ-
თა დაპყრობითი ომები აფერხებდა O-ის
დამოუკიდებელი ნაწილის (აირიშის)
ეკონ. განვითარებას, დიდ ზიანს აყენებდა
მიწათმოქმედებას. უპირატესობა მოიპოვა
მეჯოგეობამ. კოლონიზაციის პერიოდში
O-ში თანდათან ყალიბდებოდა ინგლის-
ირლ. დიდკაცობა. 1541 ინგლ. მეფემ ჰენ-
რი VIII-მ ირლანდიის მეფის ტიტული მი-
იღო. ინგლ. აბსოლუტიზმი O-ში მიწების
კონფისკაციისა და თვითმყოფობის ძალ-
დატანებით მოსპობის პოლიტიკას ატარებ-
და. დედოფალ *ელისაბედ I-ის* (1558—
1603) დროს ინგლისელთა ბატონობა O-ში
კიდევ უფრო გაძლიერდა, მოხდა მანსტე-
რის, ოლსტერისა და ლენსტერის ნაწილის
კოლონიზაცია (ეს მიწა-წყალი პეილში არ
შედიოდა). ინგლ. კოლონისტებისაგან ყა-
ლიბდებოდა ლენდლორდთა კლასი, კოლო-
ნიზაციას თან სდევდა ავჯანყებები, რ-ებსაც
კლანთა ბელადები მეთაურობდნენ. O-ის
კოლონიზაციის მნიშვნელოვანი პერიოდი
დაემთხვა XVII ს. ინგლ. ბურჟ. რევოლუ-
ციას. 1641—52 O-ის ავჯანყების ჩახშობის
შემდეგ ინგლისელებმა დიდძალი მიწა-
წყალი მიითვისეს. XVI—XVII სს-ში O-ის
მიწების 6/7 ინგლ. კოლონიზატორების
საკუთრება გახდა. ეწყობოდა ირლ. გლეხთა
ავჯანყებები ლენდლორდებისა და კოლონ.
ადმინისტრაციის წინააღმდეგ. XVII ს.
ბოლოსა და XVIII ს. შუა წლებში ინგლი-
სელებმა გამოსცეს რეპრესიული კანონები,
რითაც მნიშვნელოვნად შეზღუდეს O-ის
კათოლ. მოსახლ. პოლიტ. და სამოქალა-
ქო უფლებები, დაამყარეს ეროვნ. და რე-
ლიგ. დისკრიმინაციის უხეში სისტემა.
O-ში სოც. და ეროვნ. ჩაგვარა აძლიერებდა
ირლ. ხალხის სტიქიური წინააღმდეგობას.
XVIII ს. 60—70-იან წლებში გაჩნდა გლეხ-
თა ფარული ორგანიზაციები („თეთრი ბი-
ჭები", „მუხის ბიჭები", რიბონიტები და
სხვ.). ოპოზიციური განწყობილება ბურ-
ჟუაზიასაც მოედო. ეროვნ. განმათ. ბრძო-
ლის გაძლიერებას მძლავრი ბიძგი მისცა
დამოუკიდებლობისათვის ომმა ჩრდილოეთ
ამერიკაში (1775—83) და საფრ. დიდმა
რევოლუციამ. ინგლ. მთავრობა იძულებუ-
ლი გახდა დათმობაზე წასულიყო. გაუქმდა
ზოგიერთი რეპრესიული კანონი და საკა-
ჭრო-სამრეწვ. შეზღუდვა, 1782—83 ავტო-
ნომია მიეცა O-ის პარლამენტს, რ-ის პრო-
ტექციონისტულმა პოლიტიკამ ხელი შეუ-
წყო მრეწვ. განვითარებას. 1791 შეიქმნა
„გაერთიანებული ირლანდიელების" საზ-
ბა. მისი მემარცხენე ფრთის ხელმძღვანე-
ლობამ ტ. უოლფ ტონმა, ე. ფიცჯერალდმა
და სხვებმა წამოაყენეს დამოუკიდებელი
რესპუბლიკისათვის ბრძოლის პროგრამა.
1798 O-ის ავჯანყება ჩახშვეს ინგლისელებ-
მა. 1801 ე. წ. „უნიის შესახებ აქტით",
O-ის პარლამენტის ავტონომია გაუქმდა,

ირლანდიის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ირლანდია

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 221
II. სახელმწიფო წესწყობილება . . . 221
III. ბუნება . . . 221
IV. მოსახლეობა . . . 221
V. ისტორიული ნარკვევი . . . 221
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი. ორგანიზაციები . . 222
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი 222
VIII. შეიარაღებული ძალები . . . 223
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა . . . 223
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. 223
XI. ბეჭდვითი სიტყვა... რადიომაუწყებლობა, ტელევიზია . . . 226
XII. ლიტერატურა. . .223
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 224
XIV. მუსიკა . . . 224
XV. დრამატული თეატრი 224



ირლანდია. ტბიური ლანდშაფტი.

ირლანდია. უექსფორდის საგრაფო. ცხერის ფარა.

ირლანდია. 1913 წლის დუბლინის გაფიცვის მონაწილეთა გარეკვა პოლიციის მიერ.

ი-ის წარმომადგენლებმა ინგლ. პარლამენტში მიიღეს ადგილები. XIX ს-ში ი. საბოლოოდ გადაიქცა მეტროპოლიის აგრ. დანამატად მოსახლ. უმრავლესობა სოფ. მეურნეობაში იყო ჩაბმული და მძიმე კაბალურ ექსპლუატაციას განიცდიდა. 1850 ი-ში მჭოლოდ 20 ფ-კა იყო. 1846-თვის გაიყვანეს 100 *კმ*-ზე მეტი სიგრძის რკინიგზა (პირველი რკინიგზა 1836). 1845—47 შიმშილობის დროს დაიღუპა 1 მლნ. კაცი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრაცია (1846—51 ი. 1,5 მლნ. კაცმა დატოვა), რაც ი-ის ისტ. განვითარების მუდმივ ნიშანთვისებად იქცა. XIX ს. 40-იანი წწ. შუა ხანებში დაიწყო აგრ. გადატრიალება, გახშირდა წვრილი არენდატორების მიწებიდან აყრა-გაძევება. იქმნებოდა კაპიტალ. ტიპის მსხვილი ფერმერული მეურნეობები. გააქტიურდა მუშათა კლასი, 20—30-იან წლებში შეიქმნა ირლ. ტრედუნიონები, გავრცელდა მოძრაობა ინგლ.-ირლ. უნიის დასარღვევად (რიპილისათვის). 1840 დაარსდა რიპილერების ასოციაცია, შეიქმნა ჯგუფი „აბალგაზრდა ირლანდია". ეროვნ. მოძრაობის რადიკალურმა ელემენტებმა 1847 შექმნეს ირლ. კონფედერაცია, რ-ის რევ.-დემოკრ. ფრთის ლიდერები (ჯ. მიჩელი, ჯ. ფ. ლალორი) ინგლ. პარლამენტის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისა და ინგლ. ჩარტისტებთან კავშირისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს. 1848 ინგლისელებმა აჯანყება ჩაახშვეს. XIX ს. შუა წლებში ეროვნ. მოძრაობაში უპირატესობა *ფენიებმა* მოიპოვეს. 1869 ი-ში ყალიბდება I ინტერნაციონალის სექციები. 70—80-იან წლებში გახშირდა მოუსავლიანობა, შიმშილობა (განსაკუთრებით მძიმე იყო 1879) ამ პერიოდის ეროვნ.-განმათ მოძრაობის მთავარ ტენდენციად იქცა ბრძოლა *ჰომრულისათვის*. 1873 შეიქმნა ჰომრულის ლიგა, რ-იც აერთიანებდა ბურჟ.-ლიბერ. ელემენტებს. 1879 შეიქმნა „მიწის ლიგა", გაძლიერდა საგლეხო მოძრაობა, ჰომრულის ბილის (კანონპროექტის) უარყოფამ (ინგლ. პარლამენტის მიერ 1886, 1893) ჰომრულელების რიგებში განხეთქილება და დაქსაქსულობა გამოიწვია, შემდეგში მათ მთავარი ყურადღება კელტურ-ირლ. კულტურის აღორძინებაზე გადაიტანეს. იმპერიალიზმის სტადიაში გადასვლის პერიოდში გააქტიურდა პროლეტარიატი, 1896 ჯ. კონოლიმ დააარსა მარქსისტული ი-ის სოციალ. რესპ. პარტია (იარსება 1903-მდე). XX ს დასაწყისში ინგლ. ფინანს. კაპიტალმა გაამძლიერა ი-ის ეკონ. დაკაბალება.

1905—07 რევოლუციამ რუსეთში ხელი მეუწყო ი-ის მუშათა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გაძლიერებას. 1905 დაარსდა შინ ფეინის პარტია, რ-იც მოითხოვდა ი-ის პოლიტ. და ეკონ. დამოუკიდებლობას 1912 გაფორმდა ლეიბორისტული პარტია. მისი ლიდერები ატარებდნენ რეფორმისტულ პოლიტიკას. 1909 შეიქმნა ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა კავშირი (ხელმძღვანელები—ჯ. ლარკინი, 1910-იდან ჯ. კონოლი), რ-იც საგაფიცვო მოძრაობას ხელმძღვანელობდა (გრანდიოზული გაფიცვა დუბლინში 1913—14). რევ. მოძრაობის გაძლიერებამ ინგლ. ლიბერ. მთავრობა აიძულა პარლამენტში შეეტანა ახ. ბილი ჰომრულის შესახებ, რ-იც ლორდთა პალატამ სამჯერ უარყო (1912—14). ჰომრულის უარყოფამ წარმოშვა კონსტიტუციური კრიზისი და ქვეყანა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე დააყენა. I მსოფლიო ომის (1914—18) დაწყებამ მთავრობას შესაძლებლობა მისცა გადაედო ჰომრულის კანონის ძალაში შესვლის ვადა (ეს კანონი თემთა პალატამ მესამედ 1914 მაისში მიიღო). რევ. გზით ი-ის დამოუკიდებლობის მიღწევის ცდა (1916 აჯანყება) ინგლისმა სასტიკად ჩაახშო. რუსეთის დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით 1919—21 ი-ში მიმდინარეობდა ეროვნ.-განმათ. ანტიიმპერიალ. ომი, რ-საც ბურჟ.-დემოკრ. რევ. ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ი-ის პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იყო ძლიერი, არ ჰყავდა საკუთარი რევ. პარტია, რის გამოც იგი ვერ გახდა ბრძოლის ხელმძღვანელი. 1919 იანვარში შინფეინელებმა დუბლინში შეკრიბეს ი-ის პირველი პარლამენტი, რ-მაც ი-ის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ი-ის პირველი პრეზიდენტი დე ვალერა გახდა. ი-ის რესპ. არმიის (ირა) წარმატებათა შედეგად 1921 დეკ-ში დაიდო საზავო ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთსა და ი-ს შორის, რ-ითაც ი-ს დომინიონის სტატუსი მიენიჭა [გარდა მრეწველობით ყველაზე განვითარებული 6 საგრაფოსი ჩრდ.-აღმ-ში (იხ. *ჩრდილოეთი ირლანდია*)]. ბრიტანეთმა ი-ში შეინარჩუნა სამხ. ბაზები, ინგლ. კაპიტალის პოზიციები ხელუხლებელი დარჩა. ინგლ.-ი-ის ხელშეკრულებამ მოსახლ. ფართო ფენების აღშფოთება გამოიწვია. დაიწყო სამოქალაქო ომი (1922—23), რ-იც ამჯერად კოლონიზატორებთან კომპრომისის მომხრე ბურჟუაზიის წინააღმდეგ იყო მიმართული. დიდი ბრიტ მხარდაჭერით მემარჯვენე შინფეინელების მთავრობამ სამოქალაქო ომში გამარჯვება მოიპოვა, ბურჟ.-დემოკრ რევოლუცია დაუმთავრებელი დარჩა. 1922—32 ხელისუფლების სათავეში იდგა უ. კოსგრეივის მთავრობა, რ-ის რეაქციულმა პოლიტიკამ უკიდურესობამდე გაამწვავა ეროვნ. და კლასობრივი წინააღმდეგობანი 1932 იანვ არჩევნებში გაიმარჯვა ფიანა ფეილის (ბედისწერის ჯარისკაცები) პარტიამ (შეიქმნა 1926), რ-საც დე ვალერა მეთაურობდა ეს პარტია ეროვნ.-ბურჟ ინტერესებს გამოხატავდა პარტიის პლატფორმამ (ინგლისთან კოლონ კავშირის სრული გაწყვეტა, განვითარებული ეროვნ ეკონომიკის შექმნა) მას მასების მხარდაჭერა მოუპოვა 1937 ახ. კონსტიტუციია ი-ს „ეირეს სუვერენულ სახელმწიფოდ" აცხადებდა (რ-იც ნომინალურად დიდი ბრიტანეთისაგან დამოკიდებული რჩებოდა). სახელმწიფოს მონაწილეობით ი-ში დიდი რაოდენობით აძენდა ახ საწარმოები; განმტკიცდა და გაფართოვდა ენერგეტ. ბაზა, დახმარება გაუწიეს გალატაკების პირას მისულ წვრილ ფერმერებს. ეროვნ. ეკონ. გაძლიერებისათვის მიღებულმა ზომებმა, ეკონ. რეგულირების ცდებმა რეაქციული ძალების წინააღმდეგობა გამოიწვია. 1932-იდან 1938-მდე ი-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ე. წ. საბაჟო ომი მიმდინარეობდა. სოფ. მეურნ. ქრონიკულ სიძნელეებს განიცდიდა, გრძელდებოდა უმუშევრობა, ემიგრაცია. კუმანა-გელის ოპოზიციურმა პარტიამ შეიერთა „ცისფერპერანგიანთა" ფაშისტური ორგანიზაცია, აგრეთვე მსხვილი ფერმერების ე. წ. ცენტრის პარტია (ორივე 1932 შეიქმნა) და 1933 რეორგანიზებულ იქნა ე. წ. ერთიანი ირლანდიის პარტიად (შემდეგში შეეცვალა სახელწოდება — ირლანდიის გაერთიანებული პარტია — ფაინ გელი). 1933—34 „ცისფერპერანგიანთა" ორგანიზაციამ სცადა ძალდატანებით დაემყარებინა ტოტალიტარული რეჟიმი. მაგრამ ი-ის დემოკრ. ძალთა ერთიანი მოქმედების შედეგად 1935 ირლ. ფაშიზმი დამარცხდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1933 შექმნილმა *ირლანდიის კომუნისტურმა პარტიამ*. დე ვალერას მთავრობა დევნიდა მუშათა და სხვა დემოკრ. ორგანიზაციებს, ახშობდა გაფიცვებს. 1936—39 ი-ის მთავრობის პოზიცია ფაქტობრივად ხელს უწყობდა ფაშისტურ აგრესიას. მან ცნო ფრანკოს მთავრობა (ესპანეთში). II მსოფლიო ომის დასაწყისში ი-ის მთავრობამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ირლ. ხალხის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად 1949 ი. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, გამოვიდა ბრიტ. თანამეგობრობიდან. ქვეყანაში განვითარდა კაპიტალ. ინდუსტრიალიზაციის პროცესი, იმატა მუშათა კლასის რაოდენობამ. სოფ. მეურნეობა, რ-შიც ჩაბმულია მოსახლ. უმრავლესობა, დაბალ აგროტექ. დონეზე დარჩა. 1959-იდან ი. იღებს ეკონ. განვითარების ხუთწლიან პროგრამებს. დემოკრ. ძალთა დიდი წარმატება იყო 1959 ი-ის რესპუბლიკისა და ჩრდ. ირლანდიის პროფცენტრების გაერთიანება ერთიან ი-ის ტრედუნიონთა კონგრესში. 1970 ირლანდიის მუშათა პარტიისა და ჩრდ. ი-ის კომუნისტური პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე კვლავ შეიქმნა ი-ის ერთიანი კომუნისტური პარტია. ი. გაერთ. წევრია 1955 იდან. 1963 ი-ის მთავრობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სამ სფეროში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. 1968 — ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, 1976 ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დასკვნით აქტს (ჰელსინკიში). 1969-იდან ძალზე გამწვავდა მდგომარეობა ჩრდ. ირლანდიაში, სადაც ინგლ. მთავრობა პოლიციისა და არმიის ნაწილების ძალთა მეშვეობით მკაცრ რეპრესიებს ატარებს სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ და ყოველნაირად ცდილობს ბატონობის შენარჩუნებას ჩრდ. ირლანდიაში.

ლიტ.: Керженцев П. М., Ирландия в борьбе за независимость, 3 изд., М., 1936; Колпаков А. Д., Ирландия — остров мятежный, М., 1965; Тарле Е. В., Ирландия от восстания 179 г. до аграрной реформы нынешнего министерства, Соч., т. 1, М., 1957; История Ан лии и Ирландии. Библиографический указатель литературы, изданной в СССР 1918—1962 гг., сост А. Н. Байкова, М 1963.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ფიანა ფეილი (Fianna Fail—ბედისწერის ჯარისკაცები), დაარსდა 192 ფაინ გელი (Fine Gael— ირლანდიის გაერთიანებული პარტია), დაარსდ 1933. ირლანდიის ლეიბორისტული პარტია (Irish Labour Party), დაარსდა 1912. შინ ფეინი მუშათა პარტია (Sinn Fein the Workers' Party), დაარსდა 190 ირლანდიის კომუნისტური პარტია (იკპ), დაარსდა 1933. ირლანდიის ტრედუნიონთა კონგრესი, დაარსდა 1959, აერთიანებ ი-ისა და ჩრდ. ირლანდიის 112 პროფკავშირს. ირლანდია-სსრ კავშირის საზოგადოება, დაარსდა 1949.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ი-ის ეკონომიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ვითარდებოდა ბრიტ. ბატონობის მძიმე პირობებში. პოლიტ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ი. ჩამორჩენილი აგრ.-ინდუსტრ. ქვეყნად გადაიქცა. მრეწვ. ვითარდება გაცილებით უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე სოფ. მეურნ

ობა. ზოგიერთ დარგში ბატონობენ მო-
ოპ. გაერთიანებები, რ-ებიც მჭიდროდ
რიან დაკავშირებული უცხოეთის, უმთავ-
ესად ინგლ. კაპიტალთან. დიდია ამერ.
ა დას. ევრ. მონოპოლიათა გავლენაც.
მუშეკართა რიცხვი შეადგენს ეკონომიკუ-
ად აქტ. მოსახლ. 9%-ს (1976).

სოფლის მეურნეობა იძლევა მთლიანი
როვნ. პროდუქტის დაახლ. 13%-ს. პრო-
ექტიის 50%-ზე მეტი საექსპორტოა. მთე-
ი სას.-სამ. მიწის 40%-ზე და მსხვ.
ქ. საქონლის სულადობის 30%-ზე მეტი
ახვილ ფერმერ-მესაქონლეთა ხელშია.
ოფ. მეურნეობაში გამოყენებულია ქვეყ-
ის ტერიტ. 70%-ზე მეტი. მიწის ფონ-
ის დაახლ. 50% უჭირავს საძოვრებსა
ა მდელოებს. სოფ. მეურნ. პროდუქციი-
ა ღირებულების უმეტეს ნაწილს მეცხო-
ელეობა იძლევა. მსხვ რქ. საქონლის რა-
დენობით მოსახლ. 1 სულზე და ცოცხა-
ი საქონლის ექსპორტით ი. პირველ ად-
ილზეა ევროპაში, ხოლო ძროხისა და
ბოს ხორცის გატანით — ერთ-ერთ პირ-
ელ ადგილზე კაპიტალ. სამყაროში. 1978
-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. სა-
ონელი — 6,1, ღორი—1,1, ცხვარი — 2,4.
978 დაამზადეს 4,7 მლნ. ტ რძე, 540 ათ.
ხორცი, 109 ათ. ტ კარაქი, 51 ათ. ტ
ველი. მემცენარეობა უმთავრესად მეცხო-
ელეობას ემსახურება. მოჰყავთ (ათ. ტ,
978): ხორბალი — 300, შვრია — 100,
ორი — 1400, შაქრის ჭარხალი — 1,4 მლნ.
, კარტოფილი — 1,2 მლნ. ტ. იჭერენ
ევზს (ორაგული, კალმახი, გველთევზა,
ბშაყი, ვირთევზა, მაკრელი).

მრეწველობა. მთავარი ენერგეტ. რე-
ურსია ტორფი. იღებენ ქვანახშირს, პო-
ალიმეტალებს, აგრეთვე პირიტს, ფოსფო-
იტებს, ბოქსიტებს.

1978 გამოიმუშავეს 10 მლრდ. *კვტ·სთ*
ელექტროენერგია. ელექტროენერგიის და-
ალ. 80%-ს იძლევა თესები, რ-ებიც უმ-
ავრესად ტორფზე მუშაობენ. ქ. უოტერ-
ორდის მახლობლად აგებული თესი იმ-
ირტულ ნავთობზე მუშაობს. ყველაზე
ოდი ჰესია არდნაკრაში მდ. შენონზე.
დამუშავებით მრეწველობაში მოლიანი
ოდუქტის ღირებულებითა და დასაქმე-
ულთა რაოდენობით გამოირჩევა კვების
რეწველობა (ხორცის, რძის, თევზსაკონ-
ერვო, ერბო-კარაქის, საფქვავი, შაქრის,
ლუდის, სპირტ-არაყის წარმოება). მნიშვ-
ელოვანი ადგილი უჭირავს ტყავის,
ფეიქრო, სამკერვალო დარგებს. არის
ემი მრეწვ. ცალკეული საწარმოებიც
. შ. მეტალურგიული). მანქანათმშ დარ-
ბიდან განვითარებულია გემთმშენებ-
ობა. გემისაშენი და გემთსარემონტო
ოკებია დუბლინსა და კორკში. არის სას.-
მ. მანქანების, ავტო- და ტრაქტორსა-
წყობი, ჩარხთსაშენი ქ-ნები, საშენ მა-
ლათა მრეწვ. საწარმოები (2 მლნ. ტ
მენტი, 1978). ვითარდება ელექტროტექ.,
მ., ნავთობგადასამუშ. მრეწვ., საყოფა-
ოვრებო ელექტრონელსაწყოებისა და
ადიოაპარატურის წარმოება.

ტრანსპორტი. ი-ის ტვირთბრუნვის დი-
ი ნაწილი მოდის საავტ. ტრანსპორტზე.
ავტ. გზების სიგრძეა 90 ათ. *კმ*, რკი-
გზისა — 4 ათ. *კმ* (1978). 1978 სავა-
ო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 212
ა. ბრუტო სარეგისტრო ტ. მთავარი ნავ-
ადგურებია დუბლინი და კორკი. საერთაშ.
ნშენელობის აეროპორტია დუბლინი.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1978
ის ექსპორტმა შეადგინა 2942 მლნ. ირლ.
რვანტა, იმპორტმა — 3698 მლნ. გააქვთ
ეურსათო საქონელი, პოლიმეტალების
ანი, ქიმ.; პროდუქცია, საფეიქრო ნაწ-
მი; სამრეწვ. მოწყობილობა. შეაქვთ
თავრესად მანქანა-მოწყობილობანი, სა-
ობი და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნი-
ებია დიდი ბრიტანეთი და ევრ. ეკონ.
ერთიანებაში შემავალი სხვა ქვეყნები.

ლიტ.: Рабинович И. Е., Великобритания. Ирландия, М., 1966.

VIII. შეიარაღებული ძალები

ი-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო არმიის, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. მთავარსარდალია პრეზიდენტი. არმია კომპლექტდება მოხალისეების დაქირავებით. რეგულარული შეიარაღებული ძალების რაოდენობა (1972) დაახლ. 9,5 ათ. კაცია. სახმელეთო არმიის შემადგენლობაშია 8,6 ათ. კაცი. შეიარაღება ინგლ. წარმოებისაა. სამხ.-საჰაერო ძალები (დაახლ. 500 კაცი) შედის სახმელეთო არმიის შემადგენლობაში. სამხ. საზღვ. ძალებში (დაახლ. 400 კაცი) 3 კორვეტია.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1969 შობადობა 1000 მცხოვრებზე 21,5 შეადგენდა, საერთო სიკვდილიანობა—11,6; ბავშვთა სიკვდილიანობა—20,6 ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე. სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია სისხლის მიმოქცევის ორგანოთა დაავადებანი, ავთვისებიანი სიმსივნეები, ცენტრ. ნერვული სისტემის, სუნთქვის ორგანოთა დაავადებანი, ტუბერკულოზი, სიბერით გამოწვეული დაავადებანი და სხვ.

1966 ი-ში მუშაობდა 3 ათ. ექიმი (962 მცხოვრებზე 1 ექიმი), 0,6 ათ. კბილის ექიმი, 1,7 ათ. ფარმაცევტი, 16,5, ათ. მედდა და ბებია ქალი. იყო 273 საავადმყოფო 38,5 ათ. საწოლით (1000 მცხოვრებზე 13,3 საწ.).

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ი-ში დაწყ. სკოლები სახელმწიფოა, საშ. სკოლები — კერძო. სწავლება სავალდებულოა 6—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. დამოუკიდებელი სკოლამდელი დაწესებულებები არ არსებობს; 4—6 წლის ასაკის ბავშვები დადიან დაწყ. სკოლასთან არსებულ სკოლამდელ განყ-ებში. ი-ის მოსახლ. უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს, სადაც ბევრია ერთკომპლექტიანი (1 მასწავლებელი ასწავლის 4 კლასს) და ორკომპლექტიანი (2 მასწავლებელი ასწავლის ორ-ორ კლასს) სკოლა. 1976 ი-ის 4 ათ-ზე მეტ დაწყ. სკოლაში სწავლობდა 500 ათ. მოსწავლე. 5—6-წლიანი საშ. სკოლები თითქმის მხოლოდ ქალაქებშია; შედგება ორი ციკლისაგან: ძირითადის (3—4) დამთავრების შემდეგ იღებენ ე. წ. საშუალედო ატესტატს და შეუძლიათ შესვლა სპეციალიზებულ უმაღლესი ტიპის სასწავლებელში, უფროსი კურსის (2 წ.) დამთავრების შემდეგ კი ეძლევათ უმაღლესში შესვლის უფლება. საშ. სკოლა ტრად. აკად. ხასიათისაა. დიდი ყურადღება ექცევა ენებისა და მათ. შესწავლას. 1976 წ. 600-ზე მეტ საშ. სკოლაში სწავლობდა 145 ათ-ზე მეტი მოსწავლე. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პედ. კოლეჯები, საშ. სკოლის მასწავლებლებს — უნ-ტები, რ-თა დამთავრების შემდეგ საჭიროა კიდევ 1-წლიანი სპეც. პედ. მომზადება. უმაღლესი სასწავლებლებია: დუბლინის უნ-ტი (ტრინიტი-კოლეჯი,1591) და ი-ის ეროვნ. უნ-ტი (1909). უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ფასიანია. 1976 სწავლობდა 18 ათ-ზე მეტი სტუდენტი.

სამეცნ. დაწესებულებებია: დუბლინის სამეფო საზ-ბა (1731), ი-ის სამეფო აკადემია (1786), სამეფო ზოოლ. საზ-ბა (1830), დუბლინის საუნივერსიტეტო ბიოლ. ასოციაცია (1874), მედ. სამეფო აკადემია (1882), ი-ის ასტრონ. საზ-ბა (1937), ი-ის ქიმ. ინ-ტი (1950).

დიდი ბ-კებია: უნ-ტებისა, ეროვნ. ბ-კა დუბლინში (1877; 500 ათ-ზე მეტი ტ.), დუბლინის საჯარო ბ-კა (850 ათ-ზე მეტი ტ.). დუბლინში არის ი-ის ეროვნ. მუზეუმი (1731), ი-ის ეროვნ. გალერეა (1864), სამოქალაქო მუზეუმი (1953) და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1978 ი-ში გამოდიოდა 70-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი. მნიშვნელოვანი გაზეთებია: ინგლ. ენაზე — „აირიშ პრესი" („The Irish Press", 1931-იდან, ტირაჟი 95 ათ. ც.), „სანდი პრესი" („The Sunday Press", 1949-იდან, ტირაჟი 430 ათ. ც.); „სანდი ინდიპენდენტი" („Sunday Independent", 1905-იდან, ტირაჟი 323,8 ათ. ც.); ოფიც. მთავრობის გამოცემა „აირის ეფიგიული" („Iris Cifigiuil", 1922-იდან, ირლ. ენაზე) და სხვ. იკპ ორგანოა ჟურნ. „აირიშ სოციალისტ რევიუ" („Irish Socialist Review", 1969-იდან ინგლ. ენაზე). დუბლინშია საინფორმაციო სააგენტო „აირიშ ფიჩერზ ეიჯენსი" („The Irish Features Agency"). რადიოგადაცემები მიმდინარეობს 1926-იდან, ტელეგადაცემები—1961-იდან. გადაცემები ირლ. და ინგლ. ენებზეა.

XII. ლიტერატურა

ირლ. ლიტ-რა იქმნება ირლ. და ინგლ. ენებზე. ზეპირსიტყვიერების ადრინდ. ნიმუშები განეკუთვნება ახ. წ. I ს., ხოლო დამწერლობითი ლიტ-რა განვითარდა VI ს-იდან. ამ პერიოდში ძირითადად იქმნებოდა რელიგ., სახოტბო და სატირული პოეზია. VIII ს-იდან შემორჩენილია ანონიმური პოეტური ნაწარმოებები. IX ს-ში წარმოიშვა პროზაული საგმირო ლიტ-რა, რ-იც ალსტერის, ფენიანურ, მითოლ. და ისტ. სავების ციკლებს მოიცავს. ამ დროიდანვე იწყება საგების ჩაწერა-დამუშავება, საფუძველი ეყრება ბარდების (იხ. *ბარდი*) პოეზიას. XII ს. დაპყრობითმა ომებმა, ინგლ. კოლონიზაციამ ეროვნ. კულტურის განვითარება შეაფერხა. XVI—XVIII სს-ში ირლ. ლიტ. ტენდენცია ძირეულად შეიცვალა, მომძლავრდა პატრ. მოტივი. XVII ს-ში შეკრებილი და გადაწერილი ძვ. ხელნაწერების საფუძველზე შეიქმნა მრავალტომიანი „ოიხი მაგისტრის მატიანე" (1632—36). ირლ. სალიტ. ენის ნიმუშადაა აღიარებული ჯ. კიტინგის (1570—1646) „ირლანდიის ისტორიის" ენა. XVIII ს-ში ჩაკვდა ბარდების პოეზია. XVIII ს. ბოლოს ანტიფეოდ. და ეროვნ.-განმათ. ბრძოლების აღმავლობას მოჰყვა პოეზიის აყვავება. ინგლ. პოლიტ. ბატონობის პერიოდში გაბატონდა ინგლისურენოვანი ლიტ-რა. XIX ს-ში დაიწყო ირლ. ფოლკლორის ნიმუშების თარგმნა ინგლ. ენაზე. ამ პერიოდის წამყვანი ლიტ. მიმდინარეობა იყო რომანტიზმი, რ-საც რევ. სული შთაბერა ეროვნ.-განმათ. მოძრაობამ; უპირატესობა მოიპოვა პატრ. ბალადის ჟანრმა; ამ დროის რომანტ. ლირიკის საუკეთესო წარმომადგენელი იყო ტ. *მური*. პროზაიკოსებიდან აღსანიშნავია ჯ. გრიფინი (1803—40), მ ეჯეუორთი (1767—1849), უ. კარლტონი (1794—1869) და სხვ. XIX ს. დასასრ. დაიწყო კულტ. მოძრაობა „ირლანდიური აღორძინება", რ-ის აქტ. მონაწილე იყო უ. ბ. *იეიტსი*. ირლ. ლიტ-რის შემდგომ განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა 1916 აჯანყებამ. გამძაფრდა პროტესტი დამპყრობელთა წინააღმდეგ. XX ს. ი-ის სოც. და პოლიტ. სინამდვილე აისახა მრავალი მწერლის შემოქმედებაში. ინგლ. ლიტ-რაში მნიშვნელოვანი ადგილი დაისაკუთრეს ირლ. მწერლებმა ბ. *შოუმ*, შ. *ო'კეისიმ*, ფ. *ო'კონორმა* და სხვ. 50—60-იანი წწ. ლიტ-რის მთავარ პრობლემად იქცა მწვავე პოლიტ. მოვლენები, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის საკითხები. ეს პრობლემები აქტუალურია დღევანდელ ირლ. ლიტ-რაშიც.

ლიტ.: Саруханян А. П., К вопросу об англо-ирландских литературных связях XVIII—XIX вв., წგნ.: Из истории литературных связей XIX в., М., 1962; Hyde D., A literary history of Ireland. 2 ed., L., 1967.



ირლანდია. ტორფის დამუშავება.



ირლანდია. კორმაკის კაპელა. კაშელი. აგურთხეს 1134 წ.

ირლანდია. წმ. იოანეს სიმბოლო დიმის სახარების მინიატურა. VII ს. ტრინიტი-კოლეჯის ბიბლიოთეკა. დუბლინი.

ირლანდია. პ. ტ ი უ ო ი. „გლეხის ბიჭი". თანამედროვე ხელოვნების მუნიციპალური გალერეა. დუბლინი.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება დოლმენები, კრომლეხები, ყორლანები, .გეომ. ორნამენტით შემკული ბრინჯაოსა და ოქროს სამკაულები. რკინის ხანაში (ძვ. წ. V—IV სს.) კელტები ლითონის სამკაულებს ამკობდნენ რთული ხაზოვანი ორნამენტით. გაქრისტიანების შემდეგ (V—XII სს.) აშენებდნენ მონასტრებს (გლენდალოხში, კელსში და სხვ.), მაღალ (40 მ-მდე) სადარაჯო კოშკებს. დეკორატიულად მდიდრული წნული ორნამენტით ამკობდნენ როგორც ქვის ჯვრებს, ისე ბრინჯაოს სამკაულებს, განსაკუთრებით კი წიგნის მინიატიურებს („კელსის სახარება", დაახლ. 800, ტრინიტი-კოლეჯი, დუბლინი). XI—XII სს-ში აშენებდნენ კომპოზიციურად მარტივ, მაგრამ ქანდაკებებით მდიდრულად შემკულ რომანულ კაპელებს (ტაძარი კლონფერტში), ხოლო XII—XIV სს-ში — გოტიკურ ტაძრებს (სენტ-პეტრიკი დუბლინში). ინგლ. კოლონიზაციამ შეაფერხა ი-ის ხელოვნ. განვითარება. XVII ს.—XIX ს. დასაწყ. დუბლინში აშენებდნენ ინგლ. კლასიციზმის სტილის ადმ. შენობებს, სასახლეებს (არქიტ. უ. რობინსონი, უ. ჩეიმბერზი, ტ. კული, ჯ. გენდონი), ხოლო 1829-იდან ინგლ. ნეოგოტიკის სტილის ეკლესიებს. XIX ს—XX ს. დასაწყ. სანავსადგურო ქ-ებში იქმნება ეკლექტიკური ნაგებობებით განაშენიანებული რ-ნები. XVIII ს. ირლ. ხატვრები — პორტრეტისტი ჩ. ჯერვასი, ნ. ჰოუნ უფროსი, ჰ. ჰამილტონი, პეიზაჟისტი ჯ. ბარეტი, პირველი პანორამის შემქმნელი რ. ბარკერი მუშაობდნენ ძირითადად ინგლისში. 1840-იან წლებში ეროვნ. თვითგამორკვევისათვის ბრძოლამ სტიმული მისცა რეალიზმისაკენ სწრაფვას (ნ. ჰოუნ უმცროსი, უ. ოზბორნი). XX ს. დასაწყისში შეიქმნა ეროვნ.-რეალისტური სკოლა (ჯ. იიტსის, პ. ტიუოის, ჯ. კიტინგის პორტრეტები, ჯ. კრეიგის, პ. ჰენრის პეიზაჟები). ი-ში გაშენდა ბევრი თანამედროვე არქიტ. კომპლექსი (არქიტ. მ. სკოტისა და ტ. კენედის ნამუშევრები დუბლინსა და გოლუეიში), მაგრამ მაინც ჭარბობს ძვ. განაშენიანება და დაგეგმარება. რეალისტურ ფერწერასა (ნ. მაკგინესის, დ. ჰილის პეიზაჟები) და ქანდაკებასთან (ლ. კემპბელის, ა. ო' კონორის პორტრეტები) ერთად გავრცელებულია დეკორ. სტილიზაციისა (ლ. ლე ბროკი, ი. ჰუნის ვიტრაჟები) და მოდერნიზმის სხვადასხვა სახეობა. ი-ის ტრად. ხალხ. საცხოვრებელია თივით გადახურული, უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები სახლები. ხალხ. ხელოვნ. სახეებია შალის ქსოვილების გამოყვანა, ფერადი ძაფებით ქარგვა, ხის ჭურჭლისა და ნივთების გამოთლა, თივითა და ლერწმით წნენა.

ლიტ.: Arnold B., A concise history of Irish art, L., [1969]; Henry F., Irish art during the Viking invasions (800 — 1020 A. D.), L., [1967].

XIV. მუსიკა

ირლ. ხალხ. მუსიკა ერთხმიანია, თუმცა ძვ. საგებში დაცულია ცნობები საგუნდო სიმღერასა და ორავალხმიანობაზე. ძირითადი მუს. საკრავია არფა. ჯერ კიდევ XII ს-ში გაითქვეს სახელი ირლ. არფაზე დამკვრელებმა. არფის თანხლებით მღეროდნენ ბარდები, რ-თა შემოქმედებაშიც გამოხატულება ჰპოვა ირლ. ხალხის განმათ. ბრძოლამ ინგლ. დამპყრობლების წინააღმდეგ. მოგვიანებით, XVII—XVIII სს-ში, იქმნება რევ. სიმღერები. XVI ს-ში ქ-ების ეკლესიებში ორგანის გაჩენასთან დაკავშირებით აღმოცენდა მრავალხმიანი საკულტო მუსიკა. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ პირველი პროფ. კომპოზიტორები — რორა დოლ ო'კატაინი, ჯ. და ჰ. სკოტები, კეროლ ო'დეილი. მკაფიო, მრავალფეროვანი სიუჟეტის მქონე რომანტ.-ბალადური ხასიათის ირლ. სიმღერამ XVIII—XIX სს-ში დიდი პოპულარობა მოიპოვა ევროპაში (ბეთჰოვენმა 1814—16 წლებში 62 ირლ. სიმღერა დაამუშავა). XIV ს-იდან ცნობილია ხალხ. ცეკვების — ჟიგას, რილის, ჰორნპაიპის, სეტდანსის ირლ. ნაირსახეობანი. ხალხ. მელოდიების პირველი კრებული გამოსცა ე. ბანტინგმა (1796). XVIII—XIX სს. ცნობილი მუსიკოსები არიან: მ. ბალფი, ჩ. სტენფორდი, ჯ. ფილდი (1802-იდან ცხოვრობდა რუსეთში).

მუს. განათლების საქმეს ემსახურება ირლ. მუსიკის აკადემია (კონსერვატორია), რ-იც დაარსდა დუბლინში (1856). მუს. ცენტრებია: დუბლინი, კორკი. აქ თავმოყრილია სიმფ. ორკესტრები, საგუნდო გაერთიანებები, მუს. საზ-ბანი. 1963 დუბლინში შეიქმნა ი-ის ეროვნ. საოპერო დასი.

XV. დრამატული თეატრი

ი-ის ეროვნ. თეატრის ესთეტ. პრინციპების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ჯერ კიდევ წარმართულ პერიოდში შექმნილმა ზეპირი პოეზიის ხელოვნებამ, პოეტ-მთქმელთა დეკლამაციურმა ოსტატობამ. XVI ს-ში დუბლინში ინგლ. გილდიები დგამენ მისტერიებს. XVII ს-იდან ინგლ. დიდებულთათვის იქმნება თეატრები. ინგლ. კოლონიზატორები აფერხებენ ეროვნ. ხელოვნ. განვითარებას. XIX ს. დასასრ. დაიწყო მოძრაობა ეროვნ. კულტურის განვითარებისათვის. ამ მოძრაობის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გელის ლიგამ. დუბლინში უ. იიტსმა, და ა. გრეგორიმ შექმნეს ირლ. ლიტ. თეატრი (1899—1901), რ-ის ბაზაზე დუბლინში ჩამოყალიბდა მუდმივი ე. წ. საბატოს თეატრი. 1922 შეიქმნა დრამ. კავშირი. 1929 ე. ჰილტონმა და მ. მაკლიამორმა დუბლინში საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე ნოვატორულ თეატრს. 1929—31 გოლუეიში მუშაობდა გელის თეატრი. 1939-იდან საბატოს თეატრიც დგამს წარმოდგენებს გელურ ენაზე. ი-ის თეატრს თავისებური ეროვნ. რეპერტუარი შეუქმნეს უ. იიტსმა, ა. გრეგორიმ, რასელმა (ფსევდ. „ა. ე."), პ. კოლუმმა, ჯ. მ. სინგმა.

ლიტ.: Гвоздев А. А., Ирландский театр, «Искусство и жизнь», 1940, № 6; Malone A., The Irish drama, [L., 1965].

ირლანდიელები, ერი, ირლანდიის მკვიდრი მოსახლეობა. რაოდ. ირლანდიის რესპუბლიკაში 3,03 მლნ. კაცზე მეტი (1973, შეფასება), დიდ ბრიტანეთში 1,3 მლნ. კაცი (1971). ცხოვრობენ აგრეთვე აშშ-ში (2 მლნ-მდე კაცი), კანადაში (160 ათ-ზე მეტი), ავსტრალიასა და ოკეანეთში (60 ათ-ზე მეტი). ი-ის უმრავლესობა ლაპარაკობს ინგლ. ენაზე, ხოლო ირლ. რესპ. მოსახლ. 1/4 და იმიგრანტთა ნაწილი ირლანდიურზე. უმეტესობა კათოლიკეა. X—XII სს-ში ჩამოყალიბებული ირლ. ეროვნების საფუძველს შეადგენენ კელტურენოვანი ტომები — გ ე ლ ე ბ ი, რ-ებიც ძვ. წ. IV ს-ში გადმოსახლდნენ შოტლანდიიდან. თუმცა ი-ის უმრავლესობა იძულებული იყო ინგლ. ენაზე გადასულიყო, მაინც შეძლო ეთნ. თვითშეგნების შენარჩუნება. XIX ს. 90-იან წლებში დაიწყო ბრძოლა ირლ. ენისა და კულტურის აღსადგენად. 1921, ირლანდიის თავისუფალი სახელმ[illegible] წიფოს შექმნის შემდეგ, ირლ. ენა ინგლ[illegible] სურთან ერთად ოფიც. ენად აღიარეს.

ლიტ.: Энгельс Ф., Древняя Ирландия, წგნ.: Архив Маркса и Энгельса, т. 10, Л., 1948; Народы зарубежной Европы, т. 2, М., 1965.



ირლანდია. ქალაქი დუბლინი.

ირლანდიის ზღვა, ატლანტის ოკეანის განაპირა ზღვა კ. დიდ ბრიტანეთსა (აღმ. და კ. ირლანდიას (დას.) შორის. ოკეანეს უკავშირდება ჩრდილოეთისა (ჩრდ. და წმ. გიორგის (სამხრ.) სრუტეებით. მდებარეობს კონტინენტურ მეჩეჩზე, სიღრმეები 272 მ-მდე. ი. ზ-ის დიდი ტუნბულები მენი და ანგლსი. ნაპირები დაბაწევრებულია. ზამთრობით ხშირია შტორმი. პირის ტემპ-რა ზამთარში დაახლ. 5°C, ზაფხულში 15°C; წყლის ტემპ-რა 5—9°C-იდან (თებ.) 13—16°C-მდე (აგვ.). მარილიანობა 32-იდან 34,8‰-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1,2-იდან 6 მ-მდე. თევზჭერა. დიდი ნავსადგურებია ლივერპული (დიდი ბრიტანეთი) და დუბლინი (ირლანდია).

ირლანდიის კომუნისტური პარტია (იკპ; The Communist Party of Ireland) დაარსდა 1933 დუბლინში, როგორც ერთიანი საერთო ირლანდიური ორგანიზაცია, აერთიანებდა ჩრდ. და სამხრ. ირლანდიის კომუნისტებს. მალეე შეეიდა კომინტერნის შემადგენლობაში. თავდაპირველად ხელმძღვანელობდა დამფუძნებელი ყრილობის მიერ მიღებული მანიფესტით „ირლანდიის გზა თავისუფლებისაკენ". 1940 შეწყდა იკპ-ის მოღვაწეობა სამხრ. ირლანდიაში, ხოლო ჩრდ. ირლ. პარტიორგანიზაციებს ეწოდა ჩრდ. ირლ. კომუნისტური პარტია (ჩიკპ). სამხრეთში კომპარტია აღდგა მხოლოდ 1948 ირლ. მუშათა ლიგის სახელწოდებით [1962-იდან ირლ. მუშათა პარტია (იმპ)]. ამრიგად, 1948-იდან ირლანდიაში ორი კომუნისტური, მარქსისტულ-ლენინური პარტია არსებობდა. ისინი ცალ-ცალკე იწვევდნენ ყრილობებს (კონფერენციებს), ჰქონდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოები, დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ საერთაშ. კომუნისტურ მოძრაობაში. მიუხედავად ამისა, ჩიკპ-ი და იმპ ითვალისწინებდნენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და ურთიერთშორის [illegible] ყარებდნენ საქმიან კონტაქტს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე იღებდნენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს. ჩიკპ-ისა და იმპ-ის დელეგატები აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირების მუშაობაში (1960, 1969, მოსკოვი). 1968—70 ჩრდ. ირლანდიაში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის დიდი აღმავლობის პირობებში ჩიკპ-მ და იმპ-მ მიიღეს გადაწყვეტილება ირლ. ერთიანი მარქსისტულ-ლენინური პარტიის შექმნის შესახებ (იმპ-ის 1970 წ. 1 მარტის საგანგებო კონფერენციისა და 13—14 მარტის ჩიკპ-ის XIV ყრილობის რეზოლუციები). 1970 წ. 15 მარტს ბელფასტში შედგა ჩიკპ-ისა და იმპ-ის [illegible] განგებო გამაერთიანებელი ყრილობა, რ-მაც ოფიციალურად დააარსა ერთიანი კომუნისტური პარტიის შექმნა. მანიფესტში იკპ-ის მოღვაწეობის საბოლოო მიზნად გამოცხადებულია „ახალი, ანუ თავისუფალი, გაერთიანებული, სოციალისტური ირლანდიის შექმნა".

იკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე, იყოფა ორ-ჩრდილოეთ (აერთიანებს ჩრდ. ირლ. 6 საგრაფოს კომუნისტებს) და სამხრეთის (აერთიანებს ირლ. რესპ. 26 საგრაფოს კომუნისტებს) ორგანიზაციად. თითოეული მათგანი [illegible] ევეს საკუთარ ყრილობას (2 წელიწადში ერთხელ), ირჩევს აღმასკომს. იკპ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რ-საც 3 წელიწადში ერთხელ მაინც იწვევენ. იკპ-ის [illegible] ოვნ. აღმასკომის თავ-რეა ე. ბარი, გენ. მდივანი—მ. ო'რიორდანი. *გ. კიღურაძე*

ირლანდიის მუშათა პარტია, *ირლანდიის კომუნისტური პარტია.*



სტ. *ინდო-პაციფიკური ოლქი.* **1.** პორიტესი; **2.** გორგონისებრი მარჯანი; **3.** პეპელთევზა; **4.** რქოსანი ზანკლი; **5.** ალმიანი ჯაგარკბილა პენიიქუსი; **6.** თევზმარტორქა; **7.** მადრეპორიანი მარჯანი; **8.** გორგონისებრი მარჯანი; **9.** დატოტვილი მარჯანი აკროპორა; **10.** პიგოპლიტი; **11.** პეპელთევზა; **12.** რინეკანტი; **13.** თევზქირურგი; **14.** დატოტვილი მარჯანი აკროპორა; **15.** ნიკობარული პოლოკანთი; **16.** პეპელთევზა; **17.** ლობოფელია; **18.** ზღვის ვარსკვლავა ლინკია; **19.** ღორტავა სტენოპუსი; **20.** ზღვის ზღარბი ჰეტეროცენტროტუსი; **21.** დატოტვილი მარჯანი აკროპორა; **22.** წყალმცენარე გალიმედა; **23.** პოლოთურია; **24.** ჭია სერპულა; **25.** ზღვის ვარსკვლავა ორეასტერი; **26.** ამფიპრიონი; **27.** ქრომისი; **28.** ტრიდაქნა; **29.** ზღვის ზღარბი დიადემა; **30.** კიბო-განდეგილი დარდანუსი; **31.** ცხრაფეხა ატერგატესი; **32.** რვაფეხა; **33.** ოფიურა; **34.** მურექსი; **35.** ზღვის ვარსკვლავა აკანთასტერი; **36.** კაური; **37.** ტრიტონის რქა; **38.** ელიზია; **39.** ფუნგია; **40.** მოლუსკი კონუსი.

სტ. *კაქტუსისებრნი.* **1**. კუპერის აილოსტერა (Aylostera kupperiana); **2**. ექინოცერეუსი (Echinocereus pulchellus); **3**. რიტერის აცტეკიუმი (Aztekium ritteri); **4**. გიმნოკალიციუმი (Gymnocalycium denudatum); **5**. აპოროკაქტუსი (Aporocactus flagelliformis); **6**. დოლიქოტელე (Dolichotele longimamma); **7**. მარსონერის რებუცია (Rebutia marsoneri); **8**. ბაუმანის კლეისტოკაქტუსი (Cleistocactus baumanii); **9**. მამილარია (Mammillaria centricirrha); **10**. ოპუნცია (Opuntia microdasys); **11**. ზიგოკაქტუსი, ეპიფილუმი (Zygocactus truncatus, Epiphyllum truncatum); **12**. ლოსტენბერგია (Leuchtenbergia principis).

ირლანდიის სოციალისტური რესპუ-ბლიკური პარტია (ისრპ), პირველი მარქსისტული ორგანიზაცია ირლანდიაში. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირლანდიაში მარქსიზმის პროპაგანდასა და პროლეტ. მოძრაობის ფორმირებაში. დააარსა 1896 წ. 29 მაისს მოწინავე მუშებისა და ინტელიგენციის ჯგუფმა ჯ. *კონოლის* ხელთაურობით. მიზნად ისახავდა ირლანდიაში სოციალ. რესპუბლიკის შექმნას, ოლო უახლოეს მთავარ ამოცანად — ორძოლას ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის, საყოველთაო-საარჩევნო უფლების და 8-საათიანი სამუშაო დღის მოპოვებისათვის. ისრპ მხარს უჭერდა ეროვნ. მოძრაობის კავშირს პროგრ. ძალებთან. კონოლის აშშ-ში წასვლის შემდეგ (1903, დაბრუნდა 1910) ისრპ-ის მოღვაწეობა შეწყდა.

ირლანდიური ენა, კელტური ჯგუფის ენა, რ-იც გავრცელებულია ირლანდიის რესპუბლიკაში (1921-იდან ოფიც. ენა) და ჩრდ. ირლანდიაში, აგრეთვე მრავალრიცხოვან ემიგრანტებს შორის. ირლანდიის რესპუბლიკაში O. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 0,6 მლნ. კაცი (1971, შეფასება). O. ე-ის ისტორიაში გამოყოფენ ძვ. (VII—X სს.), საშ. (X — XIV სს.) და ახ. (XV ს-იდან) პერიოდებს. O. ე. განიცდიდა ლათ. (V ს., ლექსიკაში) და ინგლ. (XV ს-იდან) ენების ძლიერ გავლენას. უძველესი წერილობითი ძეგლები შესრულებულია ე. წ. ოგამური ანბანით (IV—V სს.). VII ს-იდან იყენებს ლათ. ანბანს.

ირლანდიური საგები, ძვ. კელტური ეპიკური ნაწარმოებები. საფუძვლად უდევს ისტ. მოვლენები და მითოლ. სიუჟეტები. უძველესი O. ს. უნდა შექმნილიყო ახ. წ. I საუკუნეში. სხვა ევრ. ეპოსებისაგან განსხვავებით, O. ს. პროზაულია; ჩართული ლექსები გადამწერთა მიერ მოგვიანებით უნდა იყოს შეტანილი. O. ს. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ზეპირი ტრადიციით ვრცელდებოდა. პირველი ჩანაწერები VIII—IX სს-ისაა; XII ს-ში დაწყო საგების სისტემ. შეგროვება. ჩვენამდე მოღწეულია „წიქარა ძროხის წიგნი" (XII ს. დასაწყ. ეროვნ. ეპოსად აღიარებული ადრინდ. ვერსია „ხარის გამოძენა ფუალნგვდან"). XII ს. დადგენილი კლასიფიკაციის მიხედვით, არსებობს O. ს-ის 5 ჯგუფი: მითოლ., ჰეროიკული, საეფო, ფენიანური და რომანტიკული. პირველი 3 ჯგუფი განეკუთვნება ძვ. პერიოდს (III—IV სს.), ბოლო ორი კი უმეტესად შუა საუკუნეებს. O. ს. ძირითადად მცირე ოცულობის ნაწარმოებებია. წამყვანი თემებია საქონლის გატაცება, მაჭანკლობა, ორძოლა, გამარჯვება, აგრეთვე მიჯნურობა. საგების რაოდენობა ძალზე დიდია; X ს. ერთ-ერთ ტექსტში აღნიშნულია 161 საგის სახელწ.; სხვაგან — 278-დე. შემორჩენილია აგრეთვე ულადის ციკლის 100-მდე ნიმუში, რ-თა მთავარი მირი კუჩულინი კარგადაა ცნობილი ირლ. ლიტ-რაში. O. ს. მრავალი ირლ. მწერლის თაგონების წყარო გახდა.

ლიტ.: Ирландские легенды и сказки, М., 1960; Ирландские саги, М.—Л., 1961; Carney J., Studies in Irish literature and history, Dublin, 1955.

ირმიხბაწარა (Hericium coralloides), ანჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. ისი თეთრი ან მოყვითალო ნაყოფსხეული ანატოტვილია და აწეწილ ბაწრის გორალს წააგავს, მოფენილია გრძელი, ჯერ ალეთრი, შემდეგ კი მოყვითალო-ვარდისფერი ეკლებით. რბილობი თეთრია და მომარო გემო აქვს. იზრდება ზაფხულში და ემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ხეებზე, ანსაკუთრებით წიფელზე. საჭმელად ვარგისია ნედლი. *ი. ნახუცრიშვილი.*

ირმისებრნი (Cervidae), მცოხნელი ძუძუმწოვრების ოჯახი წყვილჩლიქოსნების რიგისა. მოზრდილი ცხოველებია, ქვთ გრძელი, წვრილი და ძლიერი ფეხები, მოკლე კუდი, დიდი და მოძრავი ყურები. ხარირმებს (გარდა წყლის ირმისა და მუშკისა) რქები აქვთ, ზოგჯერ ფურიც რქიანია (ჩრდ. ირემი). რქებს ყოველწლიურად იცვლიან. O-თა 17 გვარში გაერთიანებულია 40-მდე სახეობა. გავრცელებული არიან ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ჩრდ. და სამხრ. ამერიკაში. სსრკ-ში 6 სახეობა გვხვდება (კეთილშობილი ირემი, ხალებიანი ირემი, ირემლალი, ლოსი, ჩრდილოეთის ირემი, შველი), საქართველოში — 2 (კეთილშობილი ირემი და შველი). ბინადრობენ ტყეებში, ტყე-ტუნდრასა და ტუნდრაში, გვხვდებიან მთებშიც. ქმნიან მცირერიცხოვან ჯოგებს (ჩრდ. ირმების ჯოგი მრავალი ათასი სულისაგან შედგება). იკვებებიან ფოთლებით, ყლორტებით, ბალახით, ხავსით, ნეკერით და სხვ. „მყვირალობა" ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომაზე იწყება. იგებენ 1—2 ნუკრს. 1,5 წლისა სქესობრივად უკვე მომწიფებულია. O-ს განეკუთვნება 5 ქვეოჯახი: მუნჯაკები, წყლის ირმები, ნამდვილი ირმები, ამერიკული ირმები და მუშკები. სარეწაო და სანადირო ცხოველებია (იყენებენ ხორცს, ტყავს, რქას), მაგრამ მათი რიცხვის მკვეთრად შემცირების გამო ზოგიერთ სახეობაზე ნადირობა ნაწილობრივ ან სრულიად აკრძალულია. ჩრდ. ირემი მოშინაურებულია. *რ. ავალიანი.*

ირმის ძლიერი, ირმის ხავსი, იაგელი, ბუჩქისებრი ლიქენები *კლადონიას* გვარისა. Cladonia rangiferina (ზოგჯერ მხოლოდ ამ სახეობას ეძახიან O. მ-ს), Cl. alpestris, Cl. sylvatica და სხვ. გავრცელებულია დიდ ფართობებზე ტუნდრისა და ტყის ზონებში. ჩრდ. ირმის საუკეთესო საკვებია ზამთარში.

ირმისმხალა (Serratula), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვს მარტოული ან საერთო ფარისებრ, იშვიათად, საგველა ყვავილედებად თავმოყრილი მრავალყვავილიანი კალათა ყვავილედები. 70-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში. სსრკ-ში, კერძოდ, შუა აზიასა და კავკასიაში, 35-მდე სახეობა გვხვდება, აქედან საქართველოში — 4. საქართველოში იზრდება მშრალ ფერდობებზე, ტყეებსა და ტყისპირებზე მთის ზედა სარტყლამდე. O-ს ზოგი სახეობა საღებავი და თაფლოვანი მცენარეა.

ირმის ნახტომი, ცის თაღზე გადაჭიმული თეთრი მბრწყინავი ზოლი, შედგება ჩვენს *გალაქტიკაში* შემავალი აურაცხელი ვარსკვლავისაგან, რ-ებიც დიდი სიშორის გამო ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მოჩანან. O. ნ-ის ზოლის შუა ხაზი გალაქტიკის სიბრტყეშია, რ-ის უშუალო სიახლოვესაა გალაქტიკის შემადგენელ ვარსკვლავთა უმრავლესობა. O. ნ-ის სინონიმებია ქართ. სახელწოდებანი „ხარის ნავალი", „იერუსალიმის გზა", „დათვისფეხა", „ცის-იკანკლედი", „დევის ნამუხლარი".

ირმის რქა (Lagerstroemia indica), დეკორატიული მცენარე ცოცხმაგარასებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ბუჩქი ან დაბალი ხეა. აქვს ქოლგისებრი ვარჯი; ღია მწვანე, პრიალა, ელიფსური ან წაგრძელებულ-უკუკვერცხისებრი ფოთოლი; ვარდისფერი, წითელი ან მეწამული რთული ყვავილი. მცენარე ნელა იზრდება, ყინვაგამძლეა, ყველანაირ ნიადაგს ეგუება, მაგრამ კარგად ხარობს შავი ზღვის სანაპირო სუბტროპ. ზონაში ეწერ ნიადაგებზე, ყვავილობს ზაფხულის პერიოდში. მრავლდება თესლითა და კალმით. გავრცელებულია ჩინეთში, ინდოეთსა და იაპონიაში; სსრკ-ში — ყირიმის სამხრ. სანაპიროზე, აზერბაიჯანში, შუა აზიის სამხრ. რ-ნებში, საქართველოში. კულტურაში არსებობს მისი სხვადასხვა დეკორატიული ფორმა. *ჯ. გიორგბერიძე.*

ირმის ტბა, რეინდირ-ლეიკი (Reindeer Lake), მყინვარული წარმოშობის ტბა ლავრენტის მაღლობის ცენტრ. ნაწილში, კანადაში. მდებარეობს 350 *მ* სიმაღლეზე. ფართ. 6,3 ათ. *კმ*², სიღრმე 60 *მ*-მდე. მდ. ჩერჩილით დაკავშირებულია ჰუდსონის ყურესთან.

ირმისტუჩა (Hydnum repandum), საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. აქვს კარგად განვითარებული ქუდი და ფეხი. ქუდის დიამეტრი 12 *სმ* აღწევს, ფორმით ხშირად არასწორია, ფერად მოყვითალოა, ზოგჯერ თეთრი ან მოვარდისფრო-ხორცისფერი; ქვედა მხარეს ფეხისკენ მიმართული მყიფე, ვარდისფერი ეკლები აქვს. ფეხი ცილინდრულია, მოკლე, ექსცენტრული, თეთრი ან მოყვითალო, ძირში ღია ჟანგისფერი. იზრდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში ზაფხულში და შემოდგომაზე. *ი. ნახუცრიშვილი.*

ირმისბაწარა.

ირმის ხავსი, *ირმის მღიერის* უმართებულო, თუმცა საკმაოდ გავრცელებული სახელწოდება.

ირმოლოგიონი, ჰიმნოგრაფიული კრებული, რ-შიც თავმოყრილია 8 ხმის გალობათა ძლისპირები ანუ ირმოსები (იხ. *ძლისპირი*). ბერძნ. O-გან განსხვავებით, ქართ. O-ში გალობათა ძლისპირებთან ერთად შესულია მათი შესაბამისი „ღმრთისმშობლისას" *ტროპარები.* სწორედ ამიტომ O-ის ქართ. შესატყვისია „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი".

გამოც.: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ვ. მეტრეველის გამოც., თბ., 1971.

ლ. ჯღამაია.

ირმულასებრნი (Tragulidae), ძუძუმწოვრების ოჯახი წყვილჩლიქოსანთა რიგისა. სხვა მცოხნელებისაგან განსხვავებით, კუჭში წიგნარა არ გააჩნიათ. მათი სხეულის სიგრძე 45—100 *სმ* აღწევს, მასა 2—15 *კგ*. რქები არა აქვთ. ცნობილია O-თა 2 გვარი: აფრიკული ირმულა (Hyemoschus) ერთი სახეობით და აზიური ირმულა ანუ კანჩილი (Tragulus). გავრცელებული არიან ტროპ. აფრიკის, სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიის, დიდი ზონდის კ-ების ტენიან ტყეებში. იკვებებიან მცენარეულობით. ზოგჯერ მწერებსაც ჭამენ.

ირნერიუსი (Irnerius) (დაახლ. 1055—60 — 1130), იურისტ *გლოსატორების* ბოლონიური სკოლის დამფუძნებელი. დიდი შრომა გასწია *იუსტინიანეს კოდიფიკაციის* ტექსტის განმარტებაზე. შეადგინა იურიდ. კაზუსების (სავარჯიშოების) კრებ. სტუდენტთათვის, აგრეთვე რომის სამართ. სისტემური სახელმძღვანელო.

ირონიკომიკური პოემა, *ბურლესკის* ერთ-ერთი სახეობა, რ-შიც მაღალფარდოვნად არის აღწერილი უმნიშვნელო და უხამსი ამბები, მდაბიო გმირები კი მაღალი სტილით მეტყველებენ. თვალსაჩინო შეუსაბამობა შინაარსსა და მის გამომხატველ ფორმას შორის დიდ კომ. ეფექტს ქმნის. O. პ. გავრცელებული იყო დას. ევროპასა (XVI ს-იდან) და რუსეთში (XVIII ს-იდან). მათ განეკუთვნება ნ. ბუალოს „საწიგნე" (1683), ი. მაიკოვის „ლომბერის მოთამაშე" (1763). ტერმ. „O. პ." გავრცელებულია მეტწილად რუს. ლიტ-რაში.

ირაკეზები, თანამედროვე აშშ-ის ჩრდ.-აღმ-ში მცხოვრებ ინდიელ ტომთა ჯგუფი. მისდევდნენ მიწათმოქმედებას და ნადირობას, XVI ს-იდან — ბეწვეულით ვაჭრობასაც. დაახლ. 1570 შეიქმნა ირაკეზ ტომთა კავშირი (მოპავკები, ონეიდა, ონონდაგა, კაიუგა, სენეკა, ტუსკარორა), რ-მაც XVII—XVIII სს-ში დიდი როლი ითამაშა ჩრდ. ამერიკაში ევრ. სახელმწიფოთა ბატონობისათვის წარმოებულ კოლონ. ომებში. ამ დროისათვის O-ის ტომთა კავშირი წარმოადგენდა სამხედრო დემოკრატიას. XVIII ს. ბოლოს O-ის კავშირი აშშ-ის ჯარებმა გაანადგურა, მათი მიწები კოლონიზატორებმა მიისაკუთრეს, ხალხი კი კანადისა და აშშ-ის რეზერვაციებში გადაასახლეს. 1960 აშშ-ში ცხოვრობდა 35 ათასამდე, ხოლო კანადაში 15 ათასამდე ირაკეზი. ენა — ირაკე-

ირმისებრნი: 1 — ჩრდილოეთის ირემი; 2 — ამერიკული შავკუდა ირემი; 3 — ლოსი; 4 — მუნჯაკი; 5 — წყლის ირემი, 6 — შველი; 7 — ირემლალი.

ა. ისაკიანი.

ისავრიელთა დინასტია

ლეონ III	717/741
კონსტანტინე V	741/775
ლეონ IV	775/780
კონსტანტინე VI	780/797
ირინე (ლეონ IV-ის ცოლი)	797/802

ლ. ისაკაძე.

ზული, განეკუთვნება ჰოკა-სიუ ენების ოჯახს. თანამედროვე ი-ის უმრავლესობა დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, ნაწილი მრეწველობაში. უმრავლესობა ქრისტიანია, თუმცა ფაქტობრივად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნების ძალთა სინკრეტული კულტის მიმდევარია.

ლიტ.: ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978; Морган Л. Г., Древнее общество..., пер. с англ., 2 изд., Л., 1935.

იროკეზული ენები, ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა ახლომონათესავე ენების ჯგუფი. გავრცელებულია აშშ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილსა და კანადის მეზობელ რ-ნებში. ი. ე-ში შედის იროკეზული, ერი, ონეიდა, გურონი, ტუსკარორა, მოჰაკი, ჩეროკი და სხვ. ამ ჯგუფის ენათა ფონეტ. სისტემა მდიდარია ეოკალიზმით. სახელური მორფოლოგია ღარიბია, ზმნური — მდიდარი. ზმნა პოლისინთეზურია. XIX ს-ში ჩეროკი ენაზე შეიქმნა სილაბური დამწერლობა.

ირონია (ბერძნ. eirōneia, სიტყვასიტყვით — მოჩვენებითობა) სტილისტიკაში, ფარული დაცინვა, როცა დადებითი შინაარსის შემცველი სიტყვა ან გამონათქვამი კონტექსტში საპირისპირო მნიშვნელობას იძენს. მაგ., „ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზე ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა“ (ი. ჭავჭავაძე). ი-ს, ჩვეულებრივ, ტროპად მიიჩნევენ, ზოგჯერ კი სტილისტიკურ ფიგურას აკუთვნებენ. ი. იუმორის, გროტესკის, სატირის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. როცა ი. მწარე, ბოროტ დაცინვად იქცევა, მას სარკაზმს უწოდებენ.

ირპენი, ქალაქი (1956-იდან) უკრ. სსრ კიევის ოლქში, მდ. ირპენის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე, კიევიდან დას-ით 27 *კმ*. რკინიგზის სადგური. არის საკედლე მასალებისა და სამშენებლო პლასტმასების კომბინატი, მანქანათსაშ. და ხის დასამუშ. ქ-ნები, ჰეეჯისა და ტყავის საგალანტერეო ნაწარმის ფ-კები. ინდუსტრ. ტექნიკუმი და საბუხპალტრო ალრიცხვის სას.-სამ. ტექნიკუმი.

ირტავაზა, იტავაზა, სოფელი საჩხერის რ-ნში (არგვეთის სოფსაბჭო), მდ. იზვარის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 640 *მ*, საჩხერიდან 10 *კმ*. არგვეთის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მევენახეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა. ი-ში არის კვარციანი ქვიშა. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ირტიში, მდინარე რსფსრ-სა (ომსკისა და ტიუმენის ოლქები) და ყაზ. სსრ-ში (აღმ. ყაზ., სემიპალატინსკისა და პავლოდარის ოლქები), მდ. ობის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 4248 *კმ*, აუზის ფართ. 1643 ათ. *კმ*². სათავე აქვს ჩინეთში, მონღ. ალთაის მთებში. ზემოთში შეიქმნა ბუქთარმის წყალსაცავი, რ-შიც მოექცა ზაისანის ტბა. ქ. უსტ-კამენოგორსკიდან მდინარის ხეობა ფართოვდება. დას. ციმბირის ვაკეზე მდინარე აჩენს კლაკნილებს და ხეობის სიგანე 20—35 *კმ* აღწევს. ი-ის შენაკადებია: მარჯვ. — კალჯირი, ქურჩუმი, ნარიმი, ბუქთარმა, ულბა, უბა და ომი; მარცხ. — ყიზილსუ, ჩარი, იშიმი და ტობოლი. ი. საზრდოობს თოვლის, წვიმის, მყინვარებისა და გრუნტის წყლით. ზემოთში წყალდიდობაა აპრ-იდან ოქტ-მდე, ქვემოთში — მაისიდან სექტ-მდე. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქ. უსტ-კამენოგორსკთან 628 *მ*³/*წმ*, ქ. ტობოლსკთან — 2150 *მ*³/*წმ*. წლ. ჩამონადენი შესართავთან დაახლ. 95 *კმ*³. ზემოთში იყინება ნოემბრის ბოლოს, ქვემოთში — ნოემბრის დასაწყისში. ყინულძვრაა აპრილში. მდიდარია თევზით. იყენებენ წყალმომარაგებისათვის, რწყვისა და ი.-ყარაღანდის არხისათვის. აგებულია უსტ-კამენოგორსკისა და ბუქთარმის ჰესები. რეგულარული ნაოსნობაა უსტ-კამენოგორსკის ჰესის ქვედა ბიეფიდან შესართავამდე. მთავარი ნავმისადგომებია: უსტ-კამენოგორსკი, სემიპალატინსკი, პავლოდარი, ომსკი, ტარა, ტობოლსკი, ხანტი-მანსიისკი.

ირლიზი, მდინარე ყაზ. სსრ აქტიუბინსკის ოლქში, მდ. თურღაის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 593 *კმ*, აუზის ფართ. 31,6 ათ. *კმ*². სათავე აქვს მუღოჯარის მთების აღმ. კალთებზე. ზაფხულობით ქვემო დინებაში შრება. ი-ის წყალი ზემო დინებაში მტკნარია, ქვემოთ—მლაშე. საზრდოობს ძირითადად თოვლის წყლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 7,56 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრაა აპრ. II ნახევარში.

ირჩი, მომღერალ-იმპროვიზატორი ყირგიზ და სხვა თურქულენოვან ხალხებში. საკუთარ ან ხალხ. ლექსებს ასრულებს ქუმუზის (სამსიმიანი საკრავი) აკომპანემენტით. წარსულში ი. გამოხატავდა ხალხის გრძნობებს, ინტერესებს. ზოგჯერ ი. ბაების მსახური და მეხოტბეც იყო. საბჭ. ი-ები ნაწარმოებებს თანამედროვე თემებზე ქმნიან, ზოგიერთი მათგანი ყირგ. მწერალთა კავშირის წევრია.

ირჩი კაზაკი (დაახლ. 1830, მუსლიმაული, ახლანდ. ბუინაქსკის რ-ნი, დაღ. ასსრ,— დაახლ. 1879), ყუმუხი პოეტი, ყუმუხური ლიტ-რის ფუძემდებელი. დაიბადა გლეხის ოჯახში. საკუთარ სატრფიალო და ფილოს.-დიდაქტიკურ ლექსებს ამღერებდა ხალხ. სიმღერებად საკრავზე. ყუბის შამხალმა ი. კ. სასახლის კარზე მიიწვია. სასახლიდან მონა ქალის (მეგობრის სატრფოს) გატაცებაში მონაწილეობისათვის გააციმბირეს. ციმბირიდან ლექსად მიწერილ წერილებში აღწერდა გადასახლებულთა მძიმე ხვედრს. თხზავდა ხანებისა და ბეგების მამხილებელ ლექსებს. იგი ვერაგულად მოკლეს.

ისაკი, ბიბლიური პერსონაჟი, აბრაამისა და სარას ძე. ებრაელთა ერთ-ერთი მითური მამამთავარი. *იაჰვეს* ბრძანებით, აბრაამს ი. უნდა შეეწირა მსხვერპლად, მაგრამ მსხვერპლშეწირვის დროს ღმერთმა ი-ის ნაცვლად მას სამსხვერპლო ფერი მიუვლინა (დაბადება, თ. 22). ი-ის თქმულება განეკუთვნება ბიბლ. პატრიარქების ლეგენდათა ციკლს. თავდაპირველად ი. ალბათ ისრაელთა ერთ-ერთი ტომის „წინაპარ-ღმერთად“ ითვლებოდა. პირმშო ძის მსხვერპლად შეწირვა გამოძახილია პირველყოფილი რელიგ. კულტებისათვის დამახასიათებელი წესისა. მსხვერპლშეწირვის სცენა აისახა ხელოვნებაში (დონატელოს რელიეფი, რემბრანდტის სურათი და სხვ.). *მ. შანიძე.*

ისაკიანი ავეტიქ სააკის ძე [19 (31). X. 1875, ლაზარაპატი, ალექსანდროპოლის (ახლანდ. ლენინაკანი) მახლობლად, — 17. X. 1957, ერევანი], სომეხი საბჭ. პოეტი. სომხ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). 1889—92 სწავლობდა ეჩმიაძინის სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. ჩამოვიდა თბილისში და ტრიალებდა თბილ. სომეხ მწერალთა წრეში (ო. თუმანიანი, დ. აღაიანი და სხვ.). 1892—93 გამოაქვეყნა ლექსები თბილ. სომხ. ჟურნალში „ტარაზ“ („მოდა“). 1893—95 ევროპაში იყო. ლექსების პირველმა კრებულმა „სიმღერები და ჭრილობები“ (1898, ალექსანდროპოლი) პოეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა. 1905—07 რევ. დროს ი-ის ლექსებში მძლავრად აჟღერდა ეროვნ. და სოც. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები, რის გამოც მეფის მთავრობის მიერ მრავალგზის იქნა რეპრესირებული. 1908 მეტეხის ციხეში იჯდა. 1911-იდან დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1936 საბოლოოდ დაბრუნდა საბჭ. სომხეთში.

1909 ჟურნ. „გეღარვესტში“ („ხელოვნება“) გამოაქვეყნა პოემა „აბუ-ლალა-მაარი“ (ცალკე წიგნად გამოვიდა კონსტანტინოპოლში 1911; ქართ. თარგმ. 1929, 1963, 1968). ამ პოემაში პოეტმა მაღალ მხატვრული ფორმით, ზოგად ფილოს. ასპექტში ასახა ადამიანთა საუკუნეობრივი ოცნება და მისწრაფება ბედნიერების და ნათელი მომავლისაკენ, გამოხატა პროტესტი არსებული სინამდვილისადმი. თავისი სულისკვეთებით იგი ენათესავება ნ. ბარათაშვილის „მერანს“, ა. მიცკევიჩის „ფარისს“ და მსგავს მხატვრულ ქმნილებებს. ჩაგრულთა დამცველი გმირისადმი ნაწერულთა დამცველი გმირი ასევე შექმნა ი-მა პოემაში „სასმა მჰერი“ (1919; ქართ. თარგმ. 1939). გამოაქვეყნა ლექსებისა და მოთხრობების კრებ. „მოთმინების ჩიბუხი“ (1928), ლექსთა ციკლები „ჩვენი ისტორიკოსები და ჩვენი გუსანები“ (1939), „ჩემს სამშობლოს“ (1940) და სხვ. დაუმთავრებელი დარჩა რომანი „უსტა კარო“. ლექსში „თავისუფლების ზარი“ (1905) მყინვარწვერისა და მასისი სახით სიმბოლურად წარმოადგინა ქართველი და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობა. მებრძოლი პათოსით დაწერილი ეს ლექსი სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნიმუშია. 1906 ი-მა გამოაქვეყნა მოთხრობა „შაქრო ვალიშვილი“, რ-ის გმირია მეფე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი. მშრომელი გლეხი. 1937 გამოსცა პროზაული ნაწარმოები „ქართველ-ოსეთ-ოსეთ-ოსეთ

кий собор, Л.— М., 1964; [5 изд., Л.], 66.

ᲘᲡᲐᲐᲙ ᲛᲪᲘᲠᲔ (გ. 1799, თბილისი), XVIII ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწიგნ-ბარი, კალიგრაფი, მესტამბე. მოღვაწეობ-ა ერეკლე II-ის სტამბაში, სადაც 1751 მი-უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა „კო-ლაკი". O. მ-ის სასტამბო მოღვაწეობა ლე შეწყდა. კათალიკოს ანტონ I-სა და . გაბაშვილს შორის უთანხმოების დროს მ. უკანასკნელს მიემხრო, რისთვისაც სტიკად დასაჯეს. O. მ-ს გადაწერილი ვს ბევრი წიგნი. მასვე ეკუთვნის რამდე-მე ორიგინ. და თარგმნილი სატირული წარმოები, სამეცნიერო ლიტ-რაში ობილი „თაგვებისა და კატის ომის" სა-ლწოდებით.

წყარო და ლიტ.: ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი-ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. 2, თბ., 1948; ი ო-ე ლ ი ა ნ ი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი ათაგმეტისა, ა. გაწერელიას რედ., თბ., 78; კ ა ს რ ა ძ ე ო., ძველი ქართული ბეჭდი წიგნი, თბ., 1973. *ო. კასრაძე.*

ᲘᲡᲐᲑᲔᲚ ᲙᲐᲡᲢᲘᲚᲘᲔᲚᲘ (Isabel) (22. 7. 1451, მადრიგალ-დე-ლას-ალტას-ტო-ესი, — 26. XI. 1504, მედინა-დელ-კამ-ი), კასტილიის დედოფალი 1474-იდან, ან II კასტილიელის ასული. ცოლად ჰყვა (1469) *ფერდინანდ II არაგონელს.* ქორწინებით არაგონსა და კასტილიას ორის დინასტიური უნია დამყარდა. *ერ-ნდადების* დახმარებით O. კ-მა სძლია ოდ. არისტოკრატიას, შეზღუდა ქ-ების აციისუფლება და საფუძველი ჩაუყარა ენტრ. მმართველობის სისტემას. მის როს გრანადის დაპყრობით (1492) დას-ულდა *რეკონკისტა.* 1501—03 ესპანეთი აეუფლა *ნეაპოლის სამეფოს* (იხ. *იტა-იური ომები 1494—1559*), მოეწყო *კო-უმბის* ექსპედიციები და საფუძველი ჩაე-რა ესპ. კოლონ. იმპერიის შექმნას. O. ის რელიგ. პოლიტიკა ფანატიზმით გა-ირჩეოდა (ინკვიზიციის დაარსება 1480, რაელთა გაძევება 1492, მუსლიმანების ლდატანებითი გაქრისტიანება).

ᲘᲡᲐᲕᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ, ს ი რ ი ე ლ-ა დ ი ნ ა ს ტ ი ა, ბიზანტიის იმპერა-ორთა დინასტია (მეფობდნენ 717—802). ხელი ეწოდა დინასტიის დამფუძნებელის ეონ III „ისავრის" მიხედვით (თუმცა, იგორც დადგინდა, ლეონ III სირიელი ო და არა ისავრიელი). O. დ-ის მმართ-ლობის დროს იმპერიის მდგომარეობა გრძნობლად განმტკიცდა.

ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ ლიანა ალექსანდრეს ასული (დ. VIII. 1946, თბილისი), ქართველი მეგი-ლინე, საქ. სსრ სახ. არტისტი (1974). რველდაწყებითი მუს. განათლება მი-ო თბილ. ცენტრ. მუსიკალურ სკოლაში ოფ. ლ. შიუკაშვილის ხელმძღვანელო-თ. 1956 (10 წლისა) რესპ. ფესტივალის აურეატი გახდა (I პრემია), 1957 — იერკავკ. მუსიკოს შემსრულებელთა I ნკურსის (მცირეწლოვანების გამო პრე-ა არ ერგო), ხოლო 1961 — საკავშ. კონ-რსის ლაურეატი (II პრემია). 1968 და-თავრა პ. ჩაიკოვსკის სახ. მოსკ. კონსერ-ტორია (პროფ. დ. ოისტრახის კლასი). 71-იდან მოსკ. ფილარმონიის სოლის-ა. O. მუსიკოს შემსრულებელთა მრა-ლი საერთაშ. კონკურსის ლაურეატია არგარიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახ., რიზი, 1965, I პრემია; ჩაიკოვსკის სახ., სკოვი, 1970, III პრემია; სიბელიუსის ს., ჰელსინკი, 1970, I პრემია). 1965-ან გასტროლებს მართავს საზღვარ-რეთის მრავალ ქვეყანაში. O. თანამედ-ოვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მევიო-ლინეა. მისი დაკვრა გამოირჩევა არტის-ზმით, ღრმა მუსიკალობით, ვირტუო-ულობით. მის რეპერტუარშია კლასიკუ-ი და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნაშუშები. ქართველი კომპოზიტორების ელი რიგი ახალი ნაწარმოებების (მაგ., თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერ-ს) პირველი შემსრულებელია. გადაღე-ლია ფინურ მხატვრულ ფილმში—„სიბე-ლიუსი" (1975). მის შესახებ გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმი (1974). ზაქარია ფალიაშვილის სახ. პრემია (1979). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშ-ნის" ორდენით. *ლ. საყვარელიძე.*

ᲘᲡᲐᲙᲝᲕᲘ ივანე სტეფანეს ძე [10 (22). VIII. 1894, სოფ. ჰაჯიქენდი, აზერბ. სსრ, — 11. X. 1967, მოსკოვი], საბჭ. კავშირის ფლოტის ადმირალი (1955), საბჭ. კავში-რის გმირი (7. V. 1965), სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1958). სკკპ წევრი 1939-იდან. საბჭ. სამხ.-საზღვ. ფლოტში იყო 1918-იდან. მონაწილეობდა 1918—20 სამოქა-ლაქო ომში (ბალტიის ფლოტი, კასპიის სამხ. ფლოტილია). 1923-იდან მსახურობ-და შავი ზღვის ფლოტში. 1937—38 იყო ბალტიის ფლოტის შტაბის უფროსი და სარდალი, 1938 იანვრიდან 1946 აპრ.-მდე— სამხ.-საზღვ. ფლოტის სახ. კომისრის მო-ადგილე და პირველი მოადგილე, 1946—47 — სამხ.-საზღვ. ძალების მთავარი შტა-ბის უფროსი, 1947—50 სამხ.-საზღვ. ფლო-ტის მთავარსარდლის მოადგილე, სსრკ საზღვ. ფლოტის მინისტრის მოადგილე და სხვ. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბ-ჭოს დეპუტატი, სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით.

ᲘᲡᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ მიხეილ ვასილის ძე [7 (19). I. 1900, სოფ. გლოტოვკა, ახლანდ. სმო-ლენსკის ოლქი, — 20. VII. 1973], რუსი საბჭ. პოეტი. სოციალ. შრომის გმირი (1970). სკკპ წევრი 1918-იდან. ლექსებს აქვეყნებდა 1921-იდან. O-ის ლექსთა კრე-ბულებში („მავთულები ჩალაში", „პრო-ვინცია", 1930; „მიწის ოსტატები", 1931; „ოთხი სურვილი", 1936 და სხვ.) აისახა სოფლის ცხოვრების სურათები, რევ. გარ-დაქმნათა პერიოდი. ავტორია პატრ. ლექ-სებისა ომის თემაზე. ფართო აღიარება მოიპოვა მისმა ლექსებმა, რ-თა დიდი ნა-წილი პოპულარულ სიმღერებად იქცა. 1943 სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა სიმ-ღერათა ტექსტებისათვის („გაცილება", „კატიუშა" და სხვ.); 1949 — კრებულისა-თვის „ლექსები და სიმღერები".

თხზ.: რჩეული სიმღერები, თბ., 1947.

ᲘᲡᲐᲙᲧᲐᲣ (ყოფ. გ ი ო რ გ ი წ მ ი ნ დ ა), სოფელი სამხრ. ოსეთის აო ზნაურის რ-ნში (ზნაურის სადაბო საბჭო), მდ. შუა ფრონის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 900 *მ*, ზნაურიდან 3 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. ზნაურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ზნაურში.

ᲘᲡᲐᲜᲘ, ისტორიული უბანი თბილისში, ქალაქის აღმ. ნაწილში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ახლანდ. 26 კომისრის სახ. რ-ნში. წყაროებში პირველად მოხსე-ნიებულია XI ს-ში. VIII—IX სს-ში, არაბთა ბატონობის ხანაში, აქ გამაგრებულ და-სახლება *სოღდებილის* მედინაში საპყრო-ბილე იყო. IX ს-ში იგი ქვიტკირის გა-ლავნითა და თხრილით გაამაგრეს და სიმ-ტკიცის გამო არაბულად ჰისნი — ისანი (ციხესიმაგრე) უწოდეს; იგი ქალაქს ჩრდ.-აღმ-იდან იცავდა, XI—XII სს-ში ციხესიმა-გრის მიმდებარე ტერიტორიას O-ის ველს და სოღდებილის სანახებს ეძახდნენ (შემ-დეგდროინდელი *ავლაბარი*). XII—XIII სს-ში O-ში კლდეზე, მტკვრის პირას, იყო მე-ფის სასახლე, კარის ეკლესია და *მეტეხთა* ტაძარი. გვიანდ. შუა საუკუნეებში O-ის უბანი *მეტეხად* იწოდებოდა. *თ. ბერიძე.*

ᲘᲡᲐᲠᲐ (Sagittaria), მცენარეთა გვარი წყლის მრავალძარღვასებრთა ოჯახისა. წყლის ან ჭაობის მრავალწლოვანი ბალახე-ბია. აქვთ სამგვარი ფოთოლი: წყალში ჩაყურსული, მოტივტივე და საჰაერო. ერთ-სახლიანი ან ორსახლიანი მცენარეებია. ცნობილია 20-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ამერ. ზომიერ და ტროპ. სარტყელში (მხოლოდ 3—4 სახეობაა ევ-რაზიაში). სსრკ-ში გვხვდება 4 სახეობა, აქედან საქართველოში — 3; მათგან ერ-თი — S. platyphylla — გზადმოყოლილია ჩრდ. ამერიკიდან. O. იზრდება ჭაობებში, წყალსატევების ნაპირებზე, სარეველად— ბრინჯაოს ნათესებში. ხშირად დიდ ფ-რ-თობზე ქმნის შალდამებს. ზოგ სახეობას შემოდგომაზე უვითარდება სახამებლით მდიდარი გოსტგლები, რ-ებიც იჭმება. O. წყლის ფრინველების საკვებია. ზოგი სახე-ობა დეკორატიულია.

ᲘᲡᲐᲠᲘ, მშვილდით, არბალეტით და სა-სულე თოფით სატყორცნი იარაღი. უფრო გავრცელებულია მშვილდის ისარი. მეზო-ლითში, ნეოლითში და ბრინჯაოს ხანაში ისრისპირს მაგარი ქვისაგან (ძირითადად კაჟისაგან), იშვიათად ძვლისაგან აკეთებ-დნენ. ბრინჯაოს ისრისპირი ფართოდ იყო გავრცელებული ადრინდ. რკინის ხანაში. ძვ. წ. VI—II სს. ევროპაში, შუა აზიასა და ციმბირში გავრცელებული იყო მიღეანი სამწახნაგა ან სამფრთიანი ბრინჯაოს ის-რისპირები, ძვ. წ. I ს-ში ისინი სარმატულ-მა რკინისყუნწიანმა ისრისპირმა შეცვა-ლა. ზოგი ხალხი (მაგ., ჩრდ. ამერ. ინდი-ელები) ცეცხლგამჩენ და მოწამლულ O-ებს იყენებდნენ.

„ᲘᲡᲐᲠᲘ", ქართული ყოველდღიური ლი-ტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. სო-ციალ-ფედერალისტთა ცენტრ. ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1907—08 გაზ. „მე-გობრის" ნაცვლად. 1907 გამოიცა №№ 1—287, 1908 — №№ 1 — 48. რედაქტორ-გამომცემლები: ი. მჭედლიშვილი (1907, №№ 1—122), ე. ავალიშვილი (1907 № 123-იდან 1908 № 11-მდე); 1908 № 12-იდან რედ. — ვ. გუნია, გამომცემელი — ე. ავა-ლიშვილი. დაიბეჭდა თბილ. გენ.-გუბერნა-ტორის განკარგულებით.

ი. ისაკოვი.

ᲘᲡᲐᲐᲙ I ᲯᲐᲤᲔᲚᲘ, ახალციხის ფაშა 1701—45 დროგამოშვებით. მამა მცირე-წლოვანს გარდაეცვალა და საფაშო ტახტი ბიძამ სალიმმა წაართვა. სალიმის გარ-დაცვალების შემდეგ (1701) ფაშობაზე პრეტენზია განაცხადა სალიმის შვილმა ასლანმა. ბიძაშვილთან ბრძოლაში O. I-მა რამდენჯერმე დაკარგა საფაშო ტახ-ტი. დაახლ. 1718-იდან, ძალაუფლების საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ, იგი აქტიურად მონაწილეობდა 1723—24 ოს-მალთა მიერ ამიერკავკ. ქვეყნების და, კერძოდ, საქართველოს დაპყრობაში. 1727, იესე მეფის გარდაცვალების შემდეგ, სულ-თანმა O. I ქართლის მმართველად დაად-გინა და კახეთის დაპყრობაც დაავალა. XVIII ს. 30-იანი წწ. შემდეგ O. I-ს მორ-ჩილებდა საკუთრივ საქართველო, ლორე, ყაზახ-შამშადილი, შაქი. O. I დაპყრო-ბილ მხარეებში ცდილობდა ოსმალურ სოც.-პოლიტ. სისტემის შემოღებას და მაჰმადიანობის გავრცელებას. მის დროს გახშირდა ლეკიანობა, ტყვეებით ვაჭრობა, გაუკაცრიელდა სოფლები და მხარეები. 1735, როცა ოსმალობა ყიზილბაშობამ შეცვალა, O. I თბილისიდან ახალციხეში ჩავიდა და სამემკვიდრო ტახტზე დაჯდა. 1737 ტახტი შვილს, იუსუფ III-ს დაუთ-მო. მისი გარდაცვალების შემდეგ კი 1744, O. I მეოთხედ დაუბრუნდა ტახტს.

ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲐᲐᲙᲘᲫᲔ.

ლიტ.: ლ ო მ ს ა ძ ე მ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლე-ბამდე), თბ., 1975. *მ. ლომსაძე.*

ᲘᲡᲐᲩᲔᲜᲙᲝ ბორის ლავრენტის ძე [2 (14). VI. 1871, პეტერბურგი, — 17. XI. 1948, მოსკოვი], საბჭ. მიკრობიოლოგი და ბო-ტანიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. (1946) და უკრ. სსრ მეცნ. აკად. (1945) აკადემიკოსი. 1917—30 სსრკ მეცნ. აკად. ბოტან. ბაღის, 1939-იდან სსრკ მეცნ. აკად. მიკრობიოლ. ინ-ტის დირექტორი. O-ს შრომები ძირი-თადად ეხება პოლარული ზღვების მიკრო-ბიოლოგიას, აგრეთვე ზოგად, სას.-სამ., ტექ. მიკრობიოლოგიას, ბოტანიკას და თესლმცოდნეობას. გამოიკვლია ზღვებსა და ტალახის ტბებში გოგირდის, აზოტისა და კალციუმის წრებრუნვა და მასში ბაქ-ტერიების როლი. O-ს სახელი ეწოდა კუნ-ცულს კარის ზღვაში. დაჯილდოებულია



ისარა (Sagittaria sagittifolia): ა — მტკვრიანე-ბიანი ყვავილის ჭრილი; ბ — ნაყოფი.

ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ისა-ხანი (გ. 1615), კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძის, გიორგის ძე. აღიზარდა ირანში, შაპის კარზე. აბას I-მა 1614, საქართველოში ლაშქრობის დროს, კახეთის მმართველად დანიშნა. ი.-ხ-მა კახეთში ფეხი ვერ მოიკიდა და იძულებული გახდა საქართველოს გასცლოდა. შემდეგში შაჰმა თავის ამალაში ჩარიცხა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ისე (1955-მდე — უ ძ ი ი ა მ ა დ ა), ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, მიეს პრეფექტურაში, უბის ნაპირზე. 106 ათ. მცხ. (1973). იაპონელთა სალოცავი ადგილი. ისე-სიმის ეროვნ. პარკი.

ისეიინი (Iseyin), ქალაქი ნიგერიაში, იოიოს შტატში. 129 ათ. მცხ. (1975). ქსოვილების, შაქრის შინამრეწველური წარმოება. პალმის კაკლის შეგროვება. ზეთის წარმოება.

„ისე-მონოგატარი“, IX—X სს. იაპონური ლირიკული თხზულება. დაყოფილია 125 ნაწილად. თითოეული ნაწილი ფორმალურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეპიზოდია, რ-შიც ორგანულადაა შერწყმული ლექსი და პროზა. ლექსი (*ტანკა*) ყოველი ეპიზოდის ძირითადი ელემენტია. „ი.-მ-ის“ პროზა ლექსიდან შობილი მოთხრობაა: მასში გადმოცემულია ლექსის შეთხზვის ფაქტობრივი (ზოგჯერ გამოგონილი) მიზეზი, გარემო, სიტუაცია. ეპიზოდებს ერთმანეთთან აკავშირებს სიუჟეტის ერთიანობა და საერთო თემა — სიყვარული. ლექსები ამოკრებილია სხვადასხვა ანთოლოგიიდან და ზოგჯერ ახ. ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი, შეტანილია უფლისწული პოეტის *არივარა* ნარიჰარას ლექსებიც. თხზულების შინაარსიც ნაწილობრივ მის სახელთანაა დაკავშირებული, ამიტომაც „ი.-მ-ის“ ავტორობას არივარას მიაწერენ. „ი.-მ.“ იაპ. თხრობითი ჟანრის პირველი ნიმუშია.

ლიტ.: «Исэ-моногатари» и «Ямато-моногатари», წგნ.: К о н р а д Н. И., Очерки японской литературы, М., 1973.

ისეტი, მდინარე რსფსრ სვერდლოვსკის, კურგანისა და ტიუმენის ოლქებში, მდ. ტობოლის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 606 *კმ*, აუზის ფართ. 58,9 ათ. *კმ*². სათავე აქვს ისეტის წყალსაცავში. ზემოთში ი. რამდენიმე ტბორესა და წყალსაცავში გადის. საზრდოობს შერეულად. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავიდან 105 *კმ*-ზე 65,4 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრაა აპრილში. სანაოსნოა ქ. შადრინსკიდან. ი-ის ნაპირზეა ქ-ები: სვერდლოვსკი, კამენსკ-ურალსკი, კატაისკი, დალმატოვო, შადრინსკი.

ისეკაი (ნამდვ. გვარი ტ ერ-ი ო ა ნ ე ს ი ა ნ ი) ლეონ ნიკოლოზის ძე [8 (20). IX. 1890, თბილისი, — 10. V. 1946, იქვე], საბჭ. მომღერალი (ბანი); საქ. სსრ სახ. არტისტი (1943) და სომხ. სსრ დამს. არტისტი (1933). 1915 დაამთავრა თბილ. მუს. სასწავლებელი. 1916-იდან გარდაცვალებამდე (შუალედებით) თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო. აქტიურად მონაწილეობდა ალექსანდროპოლის (ახლანდ. ლენინაკანის) სომხ. საოპერო თეატრის (1923) და ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის (1933) დაარსებაში. პარტიებს ასრულებდა რუს., სომხ. და ქართ. ენებზე. ქართ. სცენაზე შეასრულა აბიოსა და ცანგალას (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“), მეფე გიორგის (ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), მაკარის (დოლიძის „ქეთო და კოტე“) პარტიები. აღსანიშნავია აგრეთვე ივანე სუსანინის (გლინკას „ივანე სუსანინი“), ბორის გოდუნოვის (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“), გრემინის (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“) და სხვ. პარტიები.

ისე ფილკანელი, სასულიერო მოღვაწე საქართველოში, ერთი ასურელ მამამთაგანი (იხ. *ასურელი მამები*). იყო დიაკონი, *იოანე ზედაზნელის* მოწაფე. მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ განაგებდა წილკნის საეპისკოპოსო კათედრას. გააქრისტიანა საქართვ. ჩრდ. მთიანეთის მოსახლეობა, სადაც დაანგრია წარმართულ კერპთა ტაძრები და ააშენა ეკლესიები. დასაფლავებულია წილკნის ეკლესიაში.

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგნ. 1, თბ., 1963; წგნ. 3, თბ., 1971.

ბ. ლომინაძე.

„ისთიკლალ“, ა ლ - ჰ ი ზ ბ ა ლ-ი ს თ ი კ ლ ა ლ (დამოუკიდებლობის პარტია), პოლიტიკური პარტია მაროკოში. შეიქმნა 1943. გამოხატავს მაროკოს ბურჟუაზიის, ბურჟ. ინტელიგენციისა და მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს. აქტიურად მონაწილეობდა მაროკოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1956—59 და 1960—63 იანვ. იყო მთავრობის უმრავლესობის პარტია. 1963-იდან ოპოზიციაშია. 1959 „ი-ს“ გამოეყო მემარცხენე ფრთა (სახ. ძალების ეროვნ. კავშირი). 1970 ივლ. „ი-მა“ და სახ. ძალების ეროვნ. კავშირმა შექმნეს ეროვნ. ფრონტი, რ-მაც წამოაყენა დემოკრ. გარდაქმნების პროგრამა. პარტიის გენ. მდივანია მ. ბუსეტა. ბეჭდვითი ორგანოებია გაზეთები: არაბ. ენაზე „ალ-ალამი“ (1946-იდან) და ფრანგ. ენაზე „ოპინიონი“ („L'Opinion“, 1965-იდან).

ისთისუ, დაბა აზერბ. სსრ-ში. ბალნეოლ. კურორტი. გაშენებულია მცირე კავკასიონის მთებში, მდ. ტერტერის (მტკვრის აუზი) ხეობაში, 2200—2400 *მ* სიმაღლეზე, რკინიგზის სადგ. ბარდიდან 166 *კმ* (უკავშირდება ავტოგზით). იცის ზომიერად თბილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 16—18°C), ზომიერად რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —6°C). ნალექები დაახლ. 600 *მმ* წელიწადში. სამკურნ. საშუალება: ცხელი ნახშირორჟანგიანი მინერ. წყალი; იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამედ. ჩვენება: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დაავადებანი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, აგრეთვე სამომძრაო აპარატის, ნერვული სისტემისა და გინეკოლ. თანმხლები დაავადებანი. ი-ს წყლისაგან მიღებული მარილით მკურნალობენ ქრონ. ყაბზობას, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, გასტრიტს და სხვ. არის სანატორიუმები, საბაზანო შენობა, მინერ. წყლის სასმელი ბიუვეტები.

ისთმოსის თამაშობანი, ი ს თ მ ი ა (Isthmos), ძვ. საერთო ბერძნული დღესასწაული. იმართებოდა პოსეიდონის პატივსაცემად ორ წელიწადში ერთხელ, შუა ზაფხულში ისთმოსის (ახლანდ. კორინთის ყელი) პოსეიდონის ტაძართან. გადმოცემით, ი. თ. თავდაპირველად მელიკერტეს (ერთ-ერთი ზღვის ღვთაება) კულტის პატივსაცემად დაარსებულა და იმართებოდა როგორც სამგლოვიარო დღესასწაული. ი. თ. რომაელ იმპერატორთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. დღესასწაულზე ეწყობოდა შეჯიბრებები ტანვარჯიშში, ცხენოსნობაში, პოეზიასა და მუსიკაში. გამარჯვებული მატერ. გასამრჯელოს არ იღებდა, მას მხოლოდ საპატიო გვირგვინს (გვირგვინი ჯერ ნიახურისა იყო, კორინთის დანგრევის შემდეგ კი — ფიჭვის) და პალმის რტოს გადასცემდნენ. არქეოლ. გათხრების შედეგად (დაიწყო XIX ს. 80-იან წლებში) კორინთის მახლობლად აღმოჩნდა თეატრი, იპოდრომი, სტადიონი, პოსეიდონისა და მელიკერტეს ტაძრის ნანგრევები.

ისიანი სევერიანე იოსების ძე (3. V. 1913, სოფ. ზოგიში, ახლანდ. ცაგერის რ-ნი,— VI. 1943, დაკრძალულია ბრიანსკის ძმათა სასაფლაოზე), ქართველი საბჭ. პოეტი. 1931 დაამთავრა ქუთ. პედ. ტექნიკუმი, 1936 ქუთ. ა. წულუკიძის სახ. პედ. ინ-ტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930 ქუთ. გაზ. „მუშა და კოლმეურნეში“, ლექსთა პირველი კრებული — 1940. 1941 იდან მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ი-ის პოეზიის მთავარ თემას — პატრიოტიზმს („სამშობლო“, „მყინვარის გოდება“, „ქართლის ზეიმი“, 1936; „არ დაკარგულან“, 1938, და სხვ.) სამამულო ომის წლებმა მეტი სიმძაფრე შესძინა. სამშობლოს გამარჯვების ღრმა რწმენა მსჭვალავს მის ლექსებს „გაანადგურე!“, „ყველაფერს ვხედავ“, „ჩემს ლურჯას“ (1942), „ნახვამდის“, „საბრძოლო გადაძახილი“ (1943) და სხვ. ი-მა ლექსები უძღვნა ჩვენს თანამედროვეობას („მეტროში“, 1936; „რუსთაველი კრემლში“, 1937), ქართ. მხატვრული სიტყვის ოსტატებს („აკაკისადმი“, „ვაჟას სტრიქონები“, ორივე 1939). აქვს სატრფიალო ლექსებიც („სიყვარულის შემოპარვა“, „საყვედური ჩემს საათს“, ორივე 1939) და სხვ.

თხზ.: ლექსები, თბ., 1945; ლექსები, თბ., 1949; ყველაფერს ვხედავ. ლექსები, თბ., 1957.

ლ. ავალიანი.

ისიდა (ბერძნ. Isis, ნათ. ბრ. Isidos <ძვ. ეგვ. ისეტ), ძვ. ეგვიპტურ მითოლოგიაში ერთ-ერთი მთავარი ქალღმერთი. ნაყოფიერების, ცის, წყლისა და ქარის ღვთაება; ცოლქმრული ერთგულებისა და დედობრივი სიყვარულის განსახიერება, ჯადოსნობისა და მიცვალებულთა მფარველი, მოგვიანებით — ზღვაოსნობისაც; *ოსირისის* და და ცოლი, *ჰორის* დედა. წარმოგენილი ჰყავდათ როგორც მითური დედოფალი ეგვიპტისა და ღვთაებრივი დედოფარაონისა. ი-ს კულტი გავრცელებული იყო აგრეთვე მცირე აზიაში, სირიაში, ბერძნეთში (განსაკუთრებით ელინისტურ ეპოქაში), იტალიასა და სხვ. გამოსახავდნენ როგორც ძროხისთავიან (ან მზოლიანრქებიან) ქალს ჩვილი ყრმით ხელში. ი ღვთისმშობლის ერთ-ერთი პირველსახე.

ისიდორე (ერისკაცობაში იაკობ სერგეის ძე ნ ი კ ო ლ ს კ ი) (1799—1892), ს ქართველოს ეგზარქოსი 1844—58. დიდ ყურადღებას უთმობდა *„ოსეთის სასულიერო კომისიის“* საქმიანობას. მისი ინიციატივით 1851 ხელახლა გაიხსნა საეკლ. კ თედრა აფხაზეთში, დაარსდა სას. სასწავლებელი ოზურგეთში (ახლანდ. მახარაძე). განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობ და ქალთა სას. განათლებას. იყო ერთ ერთი ინიციატორი კავკასიაში „მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების“ შექმნისა. ხელს უწყობდ საეკლ.-სამონასტრო მიწების ხაზინისათვ გადაცემას (სეკულარიზაცია). 1849 მის ინიციატივით შეიქმნა ბიბლიის ქართ თარგმანის შემსწორებელი პირველი კომ ტეტი (მონაწილეობდა ისტორიკოსი იოსელიანი). 1858 კიევის მიტროპოლიტად გადაიყვანეს.

მ. ხუციშვილი.

ისიდორე სამთავნელი, ე ზ დ ე რ ო ს ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ი, საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა (იხ. *ასურელი მამები*). საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში თ ვის მასწავლებელ *იოანე ზედაზნელთან* ერთად. თავდაპირველად ზედაზნის მ ნასტერში მოღვაწეობდა, შემდეგ ქართლ ში, მდ. ლეხურის აღმოსავლეთით, სამთ ვისის სანახებში, დააარსა მონასტერი (დ საფლავებულია იქვე). ი. ს-ის ცხოვრებ ამსახველი ცალკე თხზულება არ შემორ ნილა. მის შესახებ ცნობები მოიპოვ სხვა ასურელ მამათა ცხოვრების ტექსტებ

წყარო: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრებ წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძ გამოც., თბ., 1955; გ ა ხ უ შ ტ ი, აღწერ სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლ ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ფ 1973.

ბ. ლომინაძ

ისიკავა ტაკუბოკუ (20. II. 1885, სო ტამაიამა, ივატეს პრეფექტურა, — X. 1912), იაპონელი პოეტი. მისი პირ ველი ლექსი 1902 გამოქვეყნდა, პირველ ლექსთა კრებ. „მისწრაფებები“ — 190

ო „ახალი პოეზიის“ საზ-ბის წევრი. ავ-
ირია ლირიკული, პეიზაჟური და პო-
იტ. ლექსებისა. ი-მ დემოკრ. სულით
მსჭვალა და ხალხის სამსახურში ჩაყე-
სასახლის დარბაზებში დაბადებული
ნკა. წერდა რომანებსაც („ტალანტის
დი“, 1906; „ჩვენი ჯგუფი და იგი“, 1912).

ისიკავა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონ-
უს დას. სანაპიროზე. ფართ. 4,2 ათ. *კმ²*.
ასახლ. 1,1 მლნ. კაცი (1975), მ. შ. და-
ლ. 65% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ.
ნაძავა. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს
ღლობებსა და მთებს. სანაპიროზე და-
ობების ვიწრო ზოლია. განვითარებუ-
ია საფეიერო (უმთავრესად აბრეშუმის)
. მანქანათსაშ. (ავტო- და ტრაქტორთმშე-
ბლობა), აგრეთვე კვების, ხე-ტყის სახერ-
, სილიკატურ-კერამ. მრეწველობა (მ. შ.
უალხარისხოვანი ფაიფურის წარმოება).
ებენ ფოსფორიტებს, ვერცხლს, სპილენ-
ს და ნავთობს. მოჰყავთ ბრინჯი. განვი-
რებულია მებოსტნეობა. თევზჭერა.

ილკული, ქალაქი (1945-იდან) რსფსრ
სკის ოლქში. რკინიგზის სადგ. ტრანს-
მბირის მაგისტრალზე, საავტ. გზების
ანძი. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები,
ინაბეტონის ნაწარმის, აგურის ქ-ნები,
რცისა და ყველ-კარაქის კომბინატები,
ქნოლ. მოწყობილობისა და ტრიკოტა-
ს ფ-კები, ელექტრონ. პედსასწავლე-
ელი. დასახლება გაჩნდა 1895.

ინდი (ძვ. ჯ ი რ ი თ ი), ძვ. ქართუ-
ი ცხენოსნური სპორტული თამაშობა. ტა-
ება 150—210 *მ* სიგრძისა და 40—50 *მ*
ანის ოთხკუთხა სწორ მოედანზე. მო-
ნილეობს ცხენოსანთა თანაბარი რაო-
ნობის ორი გუნდი — თითოეულში არა-
ეტ ექვსი მხედრისა (მოთამაშეთა
ცხვი შეიძლება ათამდე გაიზარდოს).
ველი მხედარი შეიარაღებულია 120—
0 *სმ* სიგრძის შუბით, რ-საც ბოლოზე
მაგრებული აქვს დარტყმის დასასუსტე-
ელი „ჩაჩი“ (შუბსაც ი. ჰქვია). გუნდები
ეწყობიან მოედნის სასტარტო ხაზზე.
მწყობი (კენჭისყრით) გუნდის პირველი
ამომწვევი“ მსაჯის ნიშანზე მიიჭრება
პირდაპირე გუნდთან, გადაკვეთს მის
გარიმო ხაზს და ცდილობს თავისი ი.
ახვედროს მოწინააღმდეგეს (2 ქულა) ან
ს ცრენს (1 ქულა). ტყორცნის შემდეგ
ს სწრაფად უბრუნდება თავის გუნდს ლა
ება ბოლოში. მეორე გუნდის პირველი
თამაშე მსაჯის ნიშანზე ჭენებით გამო-
ედება მეტოქე გუნდის „გამომწვევს“
გარიმო ხაზამდე და ცდილობს გაიმეო-
ს იგივე. შემდეგ კი სწრაფად გაბრუნ-
ა უკან, რომ მოწინააღმდეგე გუნდის მომ-
ენო მხედარმა ვერ მოარტყას ისინდი მას
მის ცხენს. მოწინააღმდეგის ნატყორცნი
ს ჰაერში დაჭერისათვის მხედარი და-
ებით 2 ქულას ღებულობს. იმარჯვებს
ედი, რ-იც მეტ ქულას დააგროვებს (სა-
რიმო ქულების გამოკლებით. საჯარიმო
ზა ინიშნება გვერდითი ხაზის დარღვე-
, სასტარტო ნიშნის შემოუვლელობის,
ს ხელგაუშვებლად მხედრის ან ცხენის
ლეტისა და სხვ. დროს). ფრეს შემთხვე-
ი მსაჯს უფლება აქვს დაუმატოს დრო
აუმეტეს 5 წუთისა). ი. განსაკუთრებით
. საქართველოში იყო გავრცელებული.
ლიტ.: Н а ч к е б и я К. Г., Грузинские народные конные игры, Тб., 1964.

ვ. ელაშვილი.

ჯ-ქოლი (ყირგ. — ცხელი ტბა), გაუ-
ბარი ტბა ჩრდ. ტიან-შანზე, ყირგ.
ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ერთ-ერთი
ადესი მთის ტბა მსოფლიოში. მდე-
ებს *ისიკ-ქოლის ქვაბულში*, 1608 *მ*
ალლეზე. ჩრდ-ით ესაზღვრება ქუნ-
ალათაუს, ხოლო სამხრ-ით თერსქეი-
ითაუს ქედები. ფართ. 6236 *კმ²* (სხვა
ბცემებით 6330 *კმ²*), სიგრძე 178 *კმ*,
. სიგანე 60 *კმ*, სიღრმე 668 *მ*-მდე (სხვა
ბცემებით 702 *მ*-მდე). საშ. სიღრმე 278 *მ*.
ის მოცულობა 1738 *კმ³*. ი.-ძ-ს ერ-
ს 50-ზე მეტი მდინარე, რ-თა საერთო
წლ. ჩამონადენი 3 *კმ³* აღემატება. დიდი
მდინარეებია ჯერგალანი, თუფი. ი.-ძ-ის
აუზის ფართ. დაახლ. 21,9 ათ. *კმ²*. ნაპი-
რებზე განვითარებულია ტბიური ტერასე-
ბი. 1886-იდან ტბის დონემ 4 *მ*-ით დაიწია
(ზოგიერთი მონაცემებით 7 *მ*-ით). ნაპი-
რები სუსტად არის დანაწევრებული; ძი-
რითადად ქვიშიანია, ზოგან ლამიანი და
კენჭნარიანია. სანაპირო ხაზის სიგრძეა
597 *კმ*. ჰავა თბილი, მშრალი, ზომიერია.
ჰაერის ტემპ-რა სანაპიროზე ივნისში 16—
17°C, იანვარში დას-ით —2,—3°C, აღმ-
ით —4, —7°C. ნალექები ტბაზე დაახლ.
250 *მმ* წელიწადში. წლ. აორთქლება ტბის
ზედაპირიდან დაახლ. 700 *მმ*. დამახასია-
თებელია ძლიერი ქარები. ტალღების სი-
მაღლე 3—4 *მ*. იანვარში წყლის ტემპ-რა
ზედაპირზე 2—3°C, ივლ.-აგვ-ში 19—
20°C. ყინული ცივ ზამთარში მხოლოდ
ყურეებში წარმოიქმნება. წყალი ცისფე-
რია, მომლაშო (მარილიანობა 5,8‰). ფსკერი აგებულია თიხით და ლამით. თევზ-
ჭერა. ი.-ძ-ზე ზამთრობს 20—50 ათასამდე
სახეობის წყალში მცურავი ფრინველი.
1958 შეიქმნა ისიკ-ქოლის ნაკრძალი.
სატვირთო-სამგზავრო ნაოსნობა. დიდი
ნავსადგურებია რიბაჩიე და პრისტან-
პრჟევალსკი, რ-ის მახლობლად ნ. *პრჟე-
ვალსკის* საფლავია.

ისიკ-ქოლის ოლქი, შედის ყირგ. სსრ
შემადგენლობაში. შეიქმნა 1970 წ. 11 დეკ.
ფართ. 43,5 ათ. *კმ²*. მოსახლ. 353 ათ. კა-
ცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 30%.
ცენტრი — ქ. პრჟევალსკი. სამხრ.-აღმ. ესა-
ზღვრება ჩინეთს. ოლქი მდებარეობს *ტიან-
შანის* მთებში. ოლქის ჩრდ. ნაწილშია
ტბა *ისიკ-ქოლი* და *ისიკ-ქოლის ქვაბული*.
ი.-ძ. ო. მდიდარია მთის საძოვრებით.
მეურნ. მთავარი დარგია მეცხოველეობა
(მეცხვარეობა, სარძევე-სახორცე მეცხოველეობა, საჯიშე ცხენების მოშენება). გა-
ვრცელებულია მარცვლეულის, კარტოფი-
ლის ნათესები. მოჰყავთ სამკურნ. ყაყაჩო,
განვითარებულია მებაღეობა. ქვანახში-
რის მოპოვება, საშენ მასალათა წარმოება;
არის ელექტროტექ. ქ-ნები, გემთსაშენი,
კვებისა და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები.
ისიკ-ქოლის ტბაზე — მეთევზეობა.

ისიკ-ქოლის ქვაბული, ქვაბული ტიან-
შანში (ყირგ. სსრ), ქუნგეი-ალათაუს
(ჩრდ.) და თერსქეი-ალათაუს (სამხრ.) ქე-
დებს შორის. გადაჭიმულია 240 *კმ*-ზე, სი-
განე 90 *კმ*-მდე. ქვაბულის ძირზე, 1608 *მ*
სიმაღლეზე, მდებარეობს ისიკ-ქოლის ტბა.
ი.-ძ. ძ. ტექტონ. რღვევებით გართულე-
ბული სინკლინური როფია. დას. ნაწილში
მშრალი ჰავაა. ნალექები 200 *მმ*-ზე ნაკ-
ლებია წელიწადში. გაბატონებულია ნა-
ხევარუდაბნოსა და უდაბნოს ლანდშაფტე-
ბი; აღმ. ნაწილში ნალექები 500 *მმ* აღწევს.
ლანდშაფტი სტეპური, მთის კალთებ-
ზე ნაძვნარია, უფრო მაღლა — სუბალპ.
და ალპ. მდელოები, 3500 *მ*-ზე მაღლა
მუდმივი თოვლი და მყინვარებია. ი.-ძ.

ისინდი.

ძ-ში არის ქვანახშირის საბადო, ცხელი
მინერ. წყაროები. წარმოადგენს ყირგ.
სსრ მარცვლეული კულტურებისა და მეცხ-
ოველეობის მნიშვნელოვან რ-ნს.

ისიხაზმი (<ბერძნ. hēsychia—დუმილი,
მყუდროება), ეგვიპტისა და სინის მთის
ასკეტთა შორის IV—VII სს-ში გავრცელე-
ბული მისტიკური მოძღვრება. გულისხმობ-
და დუმილითა და განმარტოებით, საგან-
გებო ასკეტური წესებითა და ლოცვებით
სულიერი მეტამორფოზის — „განახლე-
ბის“ — მიღწევას, „ღვთაებრივი სინათ-
ლის“ ხილვას. XIV ს. ბიზანტიაში, განსა-
კუთრებით ათონის მთის მონაზონთა შო-
რის, ი. ჩამოყალიბდა როგორც მისტიკუ-
რი რელიგ.-ფილოს. მიმდინარეობა, რ-იც
მკვეთრად დაუპირისპირდა ბიზანტ. ფი-
ლოს. რაციონალურ ხაზს. ბიზანტიაში
ი-ის მთავარი წარმომადგენელი იყო გრი-
გოლ პალამა (1296—1359), რ-იც თავის ჰო-
მილიებსა და ტრაქტატებში ეკამათებოდა
თეოლ. რაციონალიზმის წარმომადგენ-
ლებს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ბლა-
ხერნის საეკლ. კრებაზე (1351) პალამი-
ზმი აღიარეს ოფიც. მართლმადიდებლურ
მოძღვრებად. პალამას შემოქმედებაში გან-
საკუთრებით გამოკვეთილმა ღვთაებრივი
სინათლის იდეამ გარკვეული ასახვა პოვა
ბიზანტ. და რუს. (თეოფანე ბერძენი, ანდ-
რია რუბლიოვი) სახვით ხელოვნებაში.
ლიტ.: П р о х о р о в Г. М., Исихазм и общественная мысль в Восточной Европе в XIV в., «Труды Отдела древнерусской литературы», 1968, т. 23, с. 86—108.

ა. ალექსიძე.

ისკარი, სოფელი მესტიის რ-ნში, მდ. ენ-
გურის მარჯვ. მხარეს. ეცერის სოფსაბჭოს
ცენტრი (სოფლები: ი., ბარში, გვალდე-
რი, ებუდი, კალაში, ლადერი, ლანტე-
ლი, ლაშხერერი, უსგვირი, ულვალი, ფხუტ-
რერი, ქურაში, ცალანარი, ჭელირი). ზ.
დ. 1570 *მ*, მესტიიდან 27 *კმ*. ბეჩოს მეცხო-
ველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა,
ბ-კა, კულტსახლი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ისკირი, მდინარე ბულგარეთში, დუნაის
მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 368 *კმ*, აუზის
ფართ. 8,6 ათ. *კმ²*. სათავე აქვს რი-
ლის მთებში. ზემოთში მიედინება სამო-
კოვისა და სოფიის ქვაბულებში, შემდეგ
კვეთს სტარა-პლანინის ქედს და გადის ქვე-

ისიკ-ქოლის ოლქი


76°
78°
80°
42°
60°
ბოროვოე
ბოკონბაევსკოე
ბარალ-ქაბანი
ბარალ-ქაბანი
ბალიკჩი
ბალიკჩი
ბალიკჩ

გაზეთი „ისკრა“. 1900 წ. № 1.

ისლამაბადი. 1960-იანი წლების განაშენიანება.

მო დუნაის ვაკეზე. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულში. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 54 $\partial^3/\text{წმ}$, მაქს. — 800 $\partial^3/\text{წმ}$-მდე. ი-ის ნაპირზეა ქ-ები: სამოკოვი, მეზდრა, ჩერვენ-ბრიაგი.

ისკიტიმი, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ ნოვოსიბირსკის ოლქში, მდ. ბერდის ნაპირზე. რკინიგზის სადგური ნოვოსიბირსკ — ბარნაულის ხაზზე, ნოვოსიბირსკიდან 55 *კმ*. 59 ათ. მცხ. (1977). ცემენტის, კირის, რკინაბეტონის ნაკეთობათა, სანიტ.-ტექ. მოწყობილობისა და მექან. ქ-ნები, ავეჯის ფ-კა. ინდუსტრ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი.

„ისკრა“, პირველი საერთო-რუსული პოლიტიკური მარქსისტული არალეგალური გაზეთი, რ-იც დააარსა ვ. ი. ლენინმა. ჯერ კიდევ გადასახლებაში (შუშენსკოეში) ყოფნისას ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარქსისტული პარტიის შექმნაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეეძლო საერთო-რუს. პოლიტ. გაზეთს, რ-საც უნდა დაეძლია იმდროინდელი რუსეთის სოციალ-დემოკრატების დაქსაქსულობა, კუსტარულობა, გაეწმინდა მისი რიგები ოპორტუნისტული ელემენტებისაგან („ეკონომისტები“ და სხვ.), მუშათა სტიქიური მოძრაობისათვის მიეცა მიზანმიმართულება, რევ. მარქსიზმის საფუძველზე გაეერთიანებინა ს.-დ. ადგილ. ორგანიზაციები და ჯგუფები. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1900 წ. 19 იანვ.) ლენინი ეწვია უფას, მოსკოვს, პეტერბურგს, ნიჟნი-ნოვგოროდს, სამარას, სიზრანს, პოდოლსკს, რიგას და სმოლენსკს. დაამყარა სოციალ-დემოკრატებთან კავშირი და გააცნო მათ გეგმა. 1900 აპრ. ფსკოვში ჩაატარა თათბირი (ლ. მარტოვი, ა. პოტრესოვი, პ. სტრუვე და სხვ.), რ-ზეც მოიწონეს ლენინის პროექტი „ი-ისა“ და „ზარიას“ რედაქციების შექმნის შესახებ. 1900 ივლისში ვ. ი. ლენინმა შვეიცარიაში დაიწყო მოლაპარაკება „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან, რ-საც მონაწილეობა უნდა მიეღო გაზეთის გამოცემაში. რედაქციაში შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, გ. პლეხანოვი, ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი, ა. პოტრესოვი. რედაქციის მდივანი იყო ჯერ ი. სმიდოვიჩლემანი, 1901 აპრ-იდან კი — ნ. კრუპსკაია. რედაქციის ადგილსამყოფელი თავდაპირველად მიუნხენში იყო, 1902 აპრილიდან—ლონდონში, ხოლო ერთი წლის შემდეგ—ჟენევაში. პირველი ნომერი გამოვიდა ლაიფციგში 1900 წ. 11 (24) დეკ. 1901-იდან გამოდიოდა ყოველთვიურად, 1902-იდან — ორ კვირაში ერთხელ. ტირაჟი—საშ. 8—10 ათ. ც-მდე. „ი-ის“ რედაქციისათვის ხელის შეწყობის მიზნით რუსეთში შეიქმნა 3 დამხმარე ჯგუფი.

რუსეთში „ი.“ იგზავნებოდა სკანდინავიიდან არხანგელსკში, კენიგსბერგიდან — კაუნასში, მარსელიდან — ბათუმში, ვენიდან (თავრიზის გავლით) — ბაქოში და სხვ. შეიქმნა 3 იატაკქვეშა სტამბა კიშინიოვში, უმანსა და ბაქოში (ე. წ. „*ნინა*“), რ-ებიც ბეჭდავდნენ „ი-ის“ ცალკეულ ნომრებსა და სხვ. მასალას.

„ი-ის“ ფურცლებზე აისახა ახ. რევ. ეპოქის ისტ. ამოცანები. გაზეთის ეპიგრაფად აღებული იყო სიტყვები დეკაბრისტების პასუხიდან პუშკინისადმი: „ნაპერწკლიდან ალი აინთება!“ ვ. ი. ლენინსა და გ. პლეხანოვს შორის მწვავე პოლემიკის დამთავრების შემდეგ რედაქციამ შეიმუშავა პარტიის მარქსისტული პროგრამა (გამოქვეყნდა 1902 ივნ.) და წესდება. გაზეთის ირგვლივ შეიქმნა „*ისკრის*“ *აგენტების* ქსელი. 1902 გაზაფხულიდან „ი.“ შეუდგა რსდმპ II ყრილობის მომზადებას. II ყრილობის (1903) სპეც. დადგენილებაში აღინიშნა „ი-ის“ განსაკუთრებული როლი, გაზეთი რსდმპ ცენტრ. ორგანოდ გამოცხადდა, აირჩიეს მისი რედაქცია ვ. ლენინის, გ. პლეხანოვის, ლ. მარტოვის შემადგენლობით. შემდგომ გ. პლეხანოვთან და ლ. მარტოვთან პოლიტ. და ორგ. საკითხებში განხეთქილების გამო ლენინმა დატოვა რედაქცია. 53-ე ნომრიდან. „ი.“ აღარ იყო რევ. მარქსიზმის საბრძოლო ორგანო. იგი ოპორტუნისტულ-მენშევიკური გაზეთი გახდა. მისი გამოცემა შეწყდა 1905 ოქტ. 112-ე ნომერზე.

1904 დეკ. ბოლშევიკებმა ლენინის ხელმძღვანელობით დააარსეს გაზ. „*ვპერიოდი*“, რ-მაც ააღორძინა „ი-ის“ რევ. ტრადიციები. „ი-ის“ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში ახ. ტიპის პარტიის — რევ.-მარქსისტული პროლეტ. პარტიის შექმნისათვის, მთელი საერთაშ. მუშათა მოძრაობისათვის. იხ. აგრეთვე *ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა*.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., „ისკრისა“ და „ზარიას“ რედაქციის განცხადების პროექტი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 4; მისივე, „ისკრის“ რედაქციის განცხადება, იქვე; მისივე, როგორ კინაღამ ჩაქრა „ისკრა“?, იქვე; მისივე, ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები, იქვე; Волин М., Ленинская «Искра» (1900—1903). М., 1964.

„ისკრა“, რუსული ყოველკვირეული სატირული ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1859—73. გამომცემლები — ვ. კუროჩკინი და ნ. სტეპანოვი. „ი.“ რევ.-დემოკრ. პოზიციებიდან იბრძოდა ბატონყმობისა და ლიბერალიზმის წინააღმდეგ. დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

„ისკრის“ აგენტები, პროფესიონალი რევოლუციონერები, რ-ებიც 1901—03 ლენინური გაზ. „*ისკრის*“ გარშემო დაირაზმნენ; „ი.“ ა. რუს. მარქსისტული პარტიის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ: ვ. არციბუშევი, ი. ბაბუშკინი, ე. ბარამზინი, ო. ბასოვსკი, ნ. ბაუმანი, ც. ბობროვსკაია (ზელიქსონი), ო. ვარენცოვა, ა. ენუქიძე, ი. დუბროვინსკი, რ. ზემლიაჩკა, მ. კალინინი, ვ. კეცხოველი, გ. კრჟიჟანოვსკი, ი. სტალინი, ე. სტასოვა, დ. ულიანოვი, მ. ულიანოვა და სხვ. „ი.“ ა-ს ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი, ხოლო მათთან კავშირს ამყარებდა ნ. კრუპსკაია. თავდაპირველად „ი.“ ა-ის საქმიანობაში მთავარი იყო რუსეთში არალეგალური აპარატის შექმნა (რ-საც ლენინმა „რუსული სოციალისტური ფოსტა“ უწოდა), ლიტ-რის საზღვარზე გადატანა, მისი ფარული საწყობების მოწყობა და გავრცელება ქვეყანაში. „ი.“ ა. კავშირს ამყარებდნენ „ისკრის“ რედაქციასა და ადგილობრივ ს.-დ. კომიტეტებსა და ჯგუფებს შორის; იბრძოდნენ ოპორტუნისტული ელემენტების—„ეკონომისტების“ წინააღმდეგ, იკრებდნენ გაზეთის მომხრეებს, აგროვებდნენ მისთვის ფულად სახსრებს. 1901 შემოდგომისათვის „ი. ა.“ მუშაობდნენ ალექსანდროვსკში, ასტრახანში, ბათუმში, ვილნოში, ვორონეჟში, პეტერბურგში და სხვ. 1902 იანვ. სამარაში ჩატარდა თათბირი, სადაც ჩამოყალიბდა ისკრელების საერთო რუს. ორგანიზაცია (ხელმძღვ. გ. კრჟიჟანოვსკი), აირჩიეს ცკ, შედგა „ისკრის“ რუს. ორგანიზაციის ბიურო. „ი.“ ა-მა თავის გარშემო დარაზმეს რუს. პროლეტარიატის ყველაზე აქტ. და შეგნებული ნაწილი — რსდმპ II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვ. ბირთვი. მათგან 2 შევიდა ყრილობაზე არჩეულ პარტიის ცკ-ში. ვ. ი. ლენინი „ი.“ ა-ზე წერდა როგორც ისეთ ადამიანებზე, რ-ებიც „...შეუპოვრად, განუხრელად მოქმედებდნენ პროლეტარულ მასებში, ხელს უწყობდნენ მათი შეგნების, მათი ორგანიზაციის, მათი რევოლუციური თვითმოქმედების განვითარებას“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 16, გვ. 454). „ი.“ ა-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სკკპ შექმნის საქმეში.

თხზ.: ლენინი ვ. ი., ივანე ვასილის ძე ბაბუშკინი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 16; მისივე, ნიკოლოზ ერნსტის ძე ბაუმანი, იქვე, ტ. 9; История КПСС, т. 1, М., 1964, гл. 5, § 4.

ისლამაბადი, პაკისტანის დედაქალაქი. გაშენებულია ჰიმალაის მთისწინეთში, პოტვარის პლატოზე, 550 *მ* სიმაღლეზე. ივლ. მაქს. ტემპ-რა 39°C, იანვ. მინ. ტემპ-რა 3°C. ადმინისტრაციულად ქმნის ფედერალური დედაქალაქის ტერიტორიას. 250 ათ-ზე მეტი მცხ. (1978; 1965 წ. — 50 ათ.). ქალაქის მშენებლობა დაიწყო 1961 ძვ. დროებინი დედაქალაქ რავალპინდიდან 28 *კმ*-ზე. დაგეგმარება-განაშენიანება ხორციელდება ბერძენი არქიტ. კ. ა. დოქსიადისის ფირმის მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, აშენებენ უცხოელი და პაკისტ. ხუროთმოძღვრები. ქალაქის ევრ. განაშენიანება შეხამებულია ადგილ. არქიტ. თავისებურებებთან. ი-ს აქვს რეგულ. გეგმა; დაყოფილია ზონებად (საქმიანი, სახელმწ.-დიპლ., საცხოვრ. კვარტალები, ხელოსნური წარმოებისა და მსუბუქი მრეწვ. რ-ნები და სხვ.). არქიტ. ნაგებობათაგან აღსანიშნავია: სასტუმრო „შაჰრაზადი“ (იტალ. არქიტ. ჯ. პონტი), დიდი მეჩეთი, პარლამენტის შენობა (დან. არქიტ. ა. იაკობსენი) და სხვ.

ი-ში არის პაკისტანის ბირთვული კვლევისა და ტექნოლ. ინ-ტი, ისლამმცოდნეობის ინ-ტი, ეროვნ. ბ-კა.

ისლამი (არაბ., სიტყვასიტყვით — მორჩილება), ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში. მისი მიმდევრები — მუსლიმანები — შეადგენენ მაგრიტანიის, მაროკოს, ალჟირის, ტუნისის, ლიბიის, ეგვ., სუდანის, სომალის, იორდანიის, სირ., ერაყის, არაბ. ნ.-კ-ის სახელმწიფოების, თურქ., ირან., ავღ., პაკისტ., ბანგლადეშის, ინდონეზ. მოსახლეობის 80—98%-ს; ნიგერიის, სენეგალის, გვინეა-მალის — 60—75%-ს; ლიბანისა და ალბანეთის მოსახლ. ნახევარს; ეთიოპ. — 30%-ს; ლიბერიის, სპილოს ძვლის ნაპირის, ტანზანიის, მალაგასის რესპ. — 20%-ს; ინდ. — 11%-ს; ჩინ. —9%-ს. სსრკ-ში ცხოვრობენ შუა აზიაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ბაშკირეთში, დაღ., ყაბარდო-ბალყ., ჩრდ. ოსეთის, თათრეთისა და ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-ებში, რსფსრ რიგ მხარეებსა და ოლქებში. მსოფლიოში მუსლიმანთა საერთო რაოდენობა დაახლ. 500 მლნ შეადგენს.

ი. წარმოიშვა VII ს. I ნახევარში ბიჯაზში (დას. არაბეთი) პატრიარქალურ-თემური წყობილების რღვევის, ადრინდელ კლასობრივი საზ-ბის ჩამოყალიბების პირობებში. მის წარმოშობას შეიტანა მოძველებული არაბთა პოლიტ. გაერთიანება და მათი სამხ.-პოლიტ. ექსპანსია არაბ. ფარგლებს გარეთ, არაბ. სახელმწიფოს — სახალიფოს — შექმნა და დაპყრობილი ქვეყნები (ირანი, ამიერკავკასია, შუა აზიის, ალჟირი და სამხრ. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები, ბიზანტ. ოლქები) ისლამიზაციდა. ი-ის დამაარსებლად და მქადაგებლად ითვლება მაჰმადი, რ-იც მის მიერვე დაარსებული მუსლ. თემის (უმა) მეთაურად იქცა. უმა ერთდროულად წარმოადგენდა პოლიტ. და რელიგ. კორპორაციას, რ-შიც ერთიანდებოდნენ არა სისხლით ნათესაობის, არამედ რელიგ. რწმენის მიხედვით. მაჰმადმა როგორც უმის საერო, ისე სას. ხელმძღვანელის, ქადაგის, კანონმდებლის, უმაღლეს მთავარსარდლის ძალაუფლების წყარო იყო არა გვაროვნ. ტრადიცია, არამედ ღმერთი (ალაჰი), რ-მაც თითქოს აღჭურვა თავის მოციქული (რასული) აბსოლ. რელიგ. უპირატესობით. რელიგ. და საერო სფეროს ასეთმა შეერთებამ, მორალისა და სამართლის გაიგივებამ ი. აქცია ყოვლისმომცველ სისტემად, რ-იც პრეტენზიას აცხადებდა დაეკმაყოფილებინა ადამიანის ყველა სულიერი მოთხოვნა და ამის საფუძველზე მოითხოვდა მისგან უსიტყვო მორჩილებას.

ი. დამოუკიდებელი რელიგიაა, რ-ც მოქმედებს საკუთარი ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად, მაგრამ თავისი დოგმატიკით, ეთიკით, წეს-ჩვეულებებით, წმ. თოლოგიითა და სხვ. იგი ძალიან ახლოსაა ქრისტიანობასა და იუდაიზმთან, ასევე ზოროასტრიზმთან, ახლო და შუა აღმ. სავლეთის ზოგიერთ სხვა რელიგ.-ფილოს. და პოლიტ. მიმდინარეობასთან. VIII

ᲮᲣᲐ წლებიდან სახალიფოს მოსახლ. მა-
ᲝᲑᲠᲘᲐᲜᲘ გამუსლიმანების შედეგად O.
ᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ მსოფლიო რელიგიად იქცა.
X—X სს-ში იგი უკვე წარმოადგენდა რთულ
ᲘᲡᲢᲔᲛᲐᲡ დახვეწილი ფილოს.-რელიგ. (ქა-
ᲖᲐᲛᲘ) და დეტალურად დამუშავებული სა-
ᲐᲠᲗ. (იხ. *Ш а р и а т и*) საფუძვლებით.
Ი-ის ძირითადი პრინციპები თავმოყრილია
ᲥᲣᲠᲐᲜᲨᲘ. პრაქტიკაში მისი თანაბარი
ᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ გაწდა *ᲡᲣᲜᲐ*. კულტის სუბი-
ᲔᲥᲢᲘ O-ში არის ინდივიდ. ლოცვა, ისიც
Ი, რ-იც ერთად სრულდება, ინდივიდუა-
ᲖᲣᲠᲘᲐ. ასევეა წმინდა ადგილების მოლო-
ᲪᲕᲐ (ᲰᲐᲯᲯᲘ). O-ის რელიგ. სტრუქტურა 2
ᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐ�გᲐᲜ შედგება: იმანისა — რწმენა
O-ის ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐ) და დინისაგან (რე-
ᲚᲘᲒ. პრაქტიკა — რელიგ. წეს-ჩვეულებე-
ᲑᲘᲡ, ვალდებულებების, მორალის, ტრადი-
ᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ და სხვ. ერთობლიობა). მათი დე-
ᲐᲚᲔᲑᲘ განსაზღვრულია ᲧᲣᲠᲐᲜᲘთ, სუ-
ᲜᲘთ და ᲝᲤᲘᲪ. რელიგ. ავტორიტეტების
ᲐᲓᲐᲬᲧᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ. იმანი გულისხმობს
ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ შინაგან რწმე-
ᲜᲐᲡ (ᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐᲓᲐᲛ), მის აღიარებას სიტყვით (ᲘᲐ-
ᲠᲘ) და კეთილ საქმეებს (ᲐᲛᲐᲚᲘ). იმა-
ᲜᲘ არსია ერთი ღმერთისა და მაჰმადის
ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲐᲪᲘᲣᲠᲘ მისიის რწმენა. დინი
ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ რწმენის 5 საფუძველს (არ-
ᲙᲐᲜᲘ), ესენია: 1. მუსლიმანის მიერ რწმენის
ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ (ᲨᲐᲰᲐᲓᲐ) გამოიხატება ფორმუ-
ᲚᲘთ: „არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა
ᲓᲐ მაჰმადი მისი მოციქული“. ეს ფორმუ-
ᲚᲐ არ არის ᲧᲣᲠᲐᲜᲨᲘ, მაგრამ იგი მუსლი-
ᲛᲐᲜᲗᲐ თვითშეგნების საფუძველია და მისი
ᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ აუცილებელია ყოველი მუს-
ᲚᲘᲛᲐᲜისათვის. შაჰადა შეიცავს O-ის
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ დოგმატს: ა. ერთღმერთიანო-
ᲑᲘᲡ აღიარებას (მონოთეიზმი) და ბ. მაჰ-
ᲛᲐᲓᲘᲡ წინასწარმეტყველური მისიის ცნო-
ᲑᲐᲡ. O. განსაკუთრებულ მნიშვნელობას
ᲛᲘᲠᲭᲔᲑს ალაჰის ყოვლისშემძლეობას, რ-იც
ᲗᲐᲠᲘᲡ ერთადერთი, ყოვლისმცოდნე, მარა-
ᲓᲘᲣᲚᲘ, აბსოლ. ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ, სიცოცხ-
ᲚᲘᲡᲐ და სიკვდილის მომნიჭებელი. არა
ᲛᲐᲠᲢᲝ კეთილ მუსლიმანს, არამედ ცოდ-
ᲕᲚᲡᲐᲪ (ᲤᲐᲡᲐᲚᲘ) შეიძლება ᲰᲭᲝᲜᲓᲔᲓᲐ სა-
ᲛᲝᲗᲮᲔᲨᲘ განცხრომის იმედი, მაშინ როდე-
ᲘᲪ ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝᲕᲔᲚᲘ (არამუსლიმანებს) ჯო-
ᲰᲝᲠᲔᲗᲘᲡ მარადიული წამება უწერიათ.
ᲘᲡ მიხედვით უმაღლესი რანგის წინას-
ᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘ არიან მოციქულები (რა-
ᲛᲚᲔᲚᲘ), რ-ებიც იგზავნებიან გარკვეულ
ᲮᲐᲛᲘთან ან ხალხთან. მათ გარდა არიან
ᲡᲠᲐᲚᲝ წინასწარმეტყველები (ნაბი),
ᲠᲔᲑᲘᲪ აგრძელებენ მოციქულის დაწყებულ
ᲓᲐᲒᲠᲔᲑᲐს. რასულის კატეგორიაში, გარ-
ᲓᲐ მაჰმადისა, O. ცნობს ბიბლ. ადამს, ნოეს
(ᲜᲣᲰᲘ), აბრაამს (ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲘ), მოსეს (მუ-
ᲡᲐ), იესო ქრისტეს (ისა ალ-მასიჰი—მე-
ᲡᲘᲐ); მოციქულთა შორის უდიდესი და უკა-
ᲡᲙᲚᲔᲚი არის მაჰმადი. მის შემდეგ წინას-
ᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚი აღარ შეიძლება იყოს. O-ში
ᲐᲑᲚᲘᲝᲓᲐᲜᲐᲐ აღებული აგრეთვე ზოგიერ-
ᲗᲘ სხვა წინასწარმეტყველის სახელიც.
ᲒᲐ., ძველი აღთქმიდან: ლოთი (ᲚᲣᲗᲘ),
ᲘᲝᲑᲘ (ᲐᲘᲣᲑᲘ), აარონი (ᲰᲐᲐᲠᲣᲜᲘ), დავი-
ᲗᲘ (ᲓᲐᲣᲚᲘ), სოლომონი (ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘ),
ᲘᲝᲜᲐ (ᲘᲚᲘᲐᲡᲘ), ისაკი (ᲘᲡᲰᲐᲙᲘ), იაკო-
ᲑᲘ (ᲘᲐᲙᲣᲑᲘ), იონა (ᲘᲣᲜᲔᲡᲘ) და სხვ. ახა-
ᲚᲘ აღთქმიდან: ზაქარია, იოანე ნათლის-
ᲛᲫᲛᲔᲚᲘ (ᲘᲐᲰᲘᲐ), ღვთისმშობელი მარია-
ᲜᲘ (მარიამი) და სხვ. O. უბრალო წინას-
ᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐდ თვლის აგრეთვე ალექ-
ᲡᲐᲜᲓᲠᲔ მაკედონელს (ᲘᲡᲘᲐᲜᲓᲐᲠ ᲖᲣ-Ლ-
ᲠᲜᲐᲘᲜᲘ — ᲝᲠᲠᲘᲐᲜᲘ), ქრისტიანთა წმ.
ᲒᲝᲠᲒᲘს (ᲯᲘᲯᲘᲡ) და სხვ. ისლამამდე-
ᲚᲘ არაბ. რწმენებიდან O-მა შემოინახა
ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ადამიანებთან დაკავშირებული ჯი-
ᲜᲔᲑᲘᲡა და დაყო ისინი 2 ჯგუფად — ᲣᲠᲬ-
ᲜᲘ და მართლმორწმუნე მუსლიმანებად.
ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑს ანგელოზების არსებობას.
ᲐᲠᲡᲝᲑს 4 მთავარანგელოზს: გაბრიელი (ჯი-
ᲑᲠᲐᲘᲚᲘ), მიქელი (მიქაილი), აზრაილი,
ᲡᲠᲐᲤᲘᲚᲘ (ისრაფილი) და ეშმაკს (იბ-
ᲚᲘᲡᲘ, შაითანი). ეს ანგელოზები ალაჰის
ᲛᲝᲗᲒᲣᲚᲘ მსახურნი და შუამავალნი არიან.

2. ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓი ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲐდი ლო-
ᲪᲕᲐ, სალათი ანუ ნამაზი, მკაცრად გან-
ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚ რიტუალს ემორჩილება. მისი
მთავარი კომპონენტია საწესდებო ლოცვა,
რ-საც ახლავს მეტად რთული რიტუალი
განბანის, სალოცავი პოზებისა და ჟეს-
ტების (რაკათი), რაც მხოლოდ ომიანო-
ბისა და განსაკუთრებული შემთხვევების
დროს შეიძლება შეიცვალოს. ლოცვა თავ-
დაპირველად დღეში 3-ჯერ სრულდებო-
და, შემდეგში კი დაკანონდა 5-ჯერ: დი-
ლით (მზის ამოსვლამდე), შუადღისას,
მზის ჩასვლისა და შუადღეს შორის, მზის
ჩასვლისთანავე და ღამით, დაწოლის წინ.
ლოცვის დროს მუეზინი აცხადებს. ლოცვა
შეიძლება ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ — მეჩეთში, სახლში,
გარეთ. მლოცველი პირით მიმართული
უნდა იყოს მექის ქაბის ტაძრისაკენ (ყიბ-
ლა). პარასკეობით, შუადღისას, სრულ-
დება საზ. ღვთისმსახურება — საპარასკეო
ნამაზი, რ-საც უნდა დაესწროს ᲧᲕᲔᲚᲐ მამა-
კაცი (სუნიტებთან პარასკეობით ქალები
არ ლოცულობენ მეჩეთში, შიიტებთან —
მხოლოდ დახურულ გალერეაში). იგი
სრულდება სპეც. მეჩეთში, რ-საც საპა-
რასკეო მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯუმა) ან
საკრებულო მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯამი,
ჯამე) ეწოდება. პარასკეევი მუსლიმანთა-
თვის საზ. ღვთისმსახურების დღეა და
არა დასვენებისა. ლოცვის შემდეგ მუს-
ლიმანები ჩვეულებრივ საქმეებს მიმარ-
თავენ.

3. მარხვა (საუმი) რამადანის თვეში
30 დღეს გრძელდება. ამ ხნის განმავლობა-
ში აკრძალულია ᲭᲐᲛᲐ, სმა და ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓი
სიამოვნება დღის განმავლობაში — გან-
თიადიდან დაღამებამდე. ღამით დასაშ-
ვებია ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓი საᲭᲛᲔᲚი და დროს ტა-
რება. ნებადართულია აგრეთვე ნებაყოფ-
ᲚᲝᲑᲘთი მარხვა ᲬᲔᲚᲘᲬᲐდის ნებისმიერ
დროს.

4. აუცილებელი მოწყალება — გადა-
სახადი ზაკათი (სიტყვასიტყვით — განწ-
მენდა) — ᲧᲣᲠᲐᲜᲘᲡ მიერაა დადგენილი.
თავდაპირველად იგი ესმოდათ როგორც
მოწყალება, რ-იც უმას უნდა გაეწიოლე-
ᲑᲘᲜᲐ ᲚᲐᲠᲘᲑᲝᲜᲘᲡა, ᲥᲕᲠᲘᲒ-ᲝᲠᲤᲝᲜᲘᲡა, ობ-
ᲚᲔᲑᲘᲡა და არაფრის მქონეთათვის. მაგრამ
ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐᲓ ზაკათის თანხა სახელმწი-
ᲤᲝᲡ განკარგულებაში გადადიოდა და მო-
ᲬᲧᲐᲚᲔᲑᲘᲡ ნაცვლად გადასახადად იქცა,
რ-საც იხდიდნენ მუსლიმანები. აუცილე-
ᲑᲔᲚი ზაკათის გეგრძით რეკომენდებულია
ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘთი მოწყალება — სადაკა.

5. მექის მოლოცვა, ᲰᲐᲯᲯᲘ, ᲖᲣᲚ-ᲰᲘᲯᲯᲐს
თვეში უკავშირდება მსხვერპლშეწირვის
დღესასწაულს. ᲰᲐᲯᲯᲘ აუცილებელია ცხოვ-
რებაში ერთხელ მათთვის, ვისაც ამის შე-
საძლებლობა აქვს. O. იწონებს აგრეთვე
მცირე ᲰᲐᲯᲯᲘს (უმრა), რ-იც სხვა დროს სრულ-
დება იმავე ცერემონიით, რითაც ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑ-
ᲠᲘᲕი ᲰᲐᲯᲯᲘ.

მორწმუნისათვის სავალდებულოა აგრე-
თვე ბრძოლა სარწმუნოებისათვის, საღვ-
თო ომი — ჯიჰადი ან ღაზავათი. მოძღვ-
რება ჯიჰადის შესახებ ᲧᲣᲠᲐᲜᲨᲘ შემუშავ-
და, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელო-
ბა არაბთა დაპყრობების დროს მოიპოვა.
იგი სახალიფოს დაპყრობითი პოლიტი-
კის იარაღი გახდა. O-ის უმნიშვნელოვანე-
სი დღესასწაულებია: გახსნილების დღე-
სასწაული მარხვის შემდეგ (იდ ალ-ფიტ-
რი, თურქ. ურაზა-ბაირამი), მსხვერპლშე-
წირვის დღესასწაული (იდ ალ-ადჰა, თურქ.
ᲧᲣᲠᲑᲐᲜ-ᲑᲐᲘᲠᲐᲛᲘ), მირაჯი (დაკავშირე-
ᲑᲣᲚი მაჰმადის ზეცად ამაღლების მით-
თან), მაულიდი (მაჰმადის დაბადების
დღე) და სხვ.

მუსლიმანთა ძირითადი საკულტო ნა-
გებობებია მეჩეთი (მასჯიდი — ღმერთის
თაყვანისცემის ადგილი), მინარეთი, მედ-
რესე (სკოლა) და მაზარი (მავზოლეუმი).
O. ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული
პოლიტ. სფეროსთან (ჯერ მედინურ უმასა
და მაჰმადთან, შემდეგ სახალიფოსა და
ᲮᲐᲚᲘᲤᲝᲗᲐᲜ და ა. შ.) და ᲮᲔᲚს უწყობდა
უნიფიცირებული რელიგ.-პოლიტ. სისტე-
მის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. მაგ-
რამ ეს ტენდენცია თანდათან სუსტდებო-
და O-ის აბსტრ.-უნივერს. იდეალსა და ად-
გილ. რელიგ.-კულტ. ტრადიციებს შორის
წინააღმდეგობის გაზრდის შედეგად. O-ში
ერთიანი საეკლ. ორგანიზაციის არარსებო-
ბა ᲮᲔᲚს უწყობდა ავტონომისტური და სე-
პარატისტული ტენდენციების განვითარე-
ბას. სოც. წინააღმდეგობათა ზრდა (უმე-
ტესად გამოხატული რელიგ. ბრძოლის
ფორმით) ასუსტებდა O-ის, როგორც გა-
მაერთიანებელი ძალის, მოქმედებას. ამას
შედეგად მოჰყვა არა მარტო ოდესღაც ერ-
თიანი მუსლ. პოლიტ. ორგანიზაციის
მტრულ სახელმწიფოებად დაშლა, არამედ
მრავალრიცხოვანი სექტების წარმოშობაც
(ᲮᲐᲠᲘᲯᲘტები, შიიტები, ზეიდიტები, ის-
მაილიტები, იმამიტები და სხვ.), მისტ.
მოძრაობის — სუფიზმის — წარმოშობა და
სხვ. ორთოდოქსალური O. უარიათს აცხა-
დებდა ღვთაებრივი ნების ნაყოფად და
ამდენად მიიჩნევდა მას მარადიულად და
უცვლელად. შარიათის დადგენილებები
უზრუნველყოფდა იურიდ. უნიფიკაციას სა-
ᲮᲐᲚᲘᲤᲝᲡ მთელ ტერიტორიაზე. უკვე X ს-ში
დამთავრდა მუსლ. სამართლის ძირითადი
ნორმების შემუშავება.

ᲚᲘᲢ.: Маркс К. и Энгельс Ф., О религии, М., 1965; Бартольд В. В., Ислам, Соч., т. 6, М., 1966; Беляев Е. А., Арабы, ислам и арабский халифат в раннее средневековье, 2 изд., М., 1966; Климович А. И., Ислам, М., 1965; Массэ А., Ислам, пер. с франц., М., 1961.

Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲠᲑᲘ.

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ (Island), ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ (Lýdveldid Island), სახელმწიფო კ. ისლანდიაზე, ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილში. ფართ. 103 ათ. *კმ²*. მოსახლ. 224 ათ. კაცი (1978). დედაქალაქი—რეიკიავიკი. ოფიც. ენა—ისლანდიური. ეროვნ. დღესასწაულია 17 ივნ.—რესპ. გამოცხადების დღე (1944). ოფიც. *კალენდარი*—გრიგორიანული. ფულის ერთეულია ისლ. კრონა. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 მაისი) 100 კრონა= 0,15 მანეთს. ადმინისტრაციულად O. იყოფა 16 სისლად (ოლქად).

O. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1944 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ᲮᲔᲚᲘᲡუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ალთინგს (პარლამენტს), რ-იც შედგება ორი (ზედა და ქვედა) პალატისაგან. ალთინგს მოსახლ. 4 წლით ირჩევს. აღმასრ. ᲮᲔᲚᲘᲡუფლებას ახორციელებს სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტი (მოსახლ. ირჩევს 4 წლით) და მის მიერ დანიშნული მთავრობა.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ. O-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი უჭირავს 400—800 *მ* სიმაღლის პლატოს, ცალკეული მასივის სიმაღლე 1000—1500 *მ*


ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ
ᲡᲘᲒᲚᲣᲤᲘᲠᲓᲘᲠᲘ
ᲡᲐᲜᲡᲣᲠᲘ
ᲑᲐᲙᲐᲤᲘᲠᲓᲘᲠᲘ
ᲠᲘᲒᲐ
ᲡᲐᲚᲐᲠᲘ
ᲡᲕᲐᲠᲒᲐᲣᲠᲘ
ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ
ᲓᲘᲣᲙᲘᲕᲝᲒᲠᲘᲜᲘ
ᲙᲝᲚᲝᲠᲜᲘᲡᲒᲐᲠᲓᲘᲠᲘ
ᲡᲐᲜᲢᲠᲘᲤᲘᲚᲘ
ᲙᲔᲤᲚᲐᲕᲘᲙᲘ
ᲠᲔᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ
ᲡᲢᲠᲘᲜᲓᲘᲠᲘ
ᲙᲐᲣᲚᲘᲤᲘᲚᲓᲘᲠᲘ
ᲙᲝᲠᲘᲝᲒᲔᲠᲓᲘᲠᲘ
ᲙᲔᲚ

ისლანდია. ვულკანური კრატერები მივატნის ტბის რაიონში.

ისლანდია. გეიზერები ისლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში.



ისლანდია. ქრისტეს თავი („ჯვარცმის" ფრაგმენტი). ხე. დაახლ. 1100 წ. ისლანდიის ეროვნული მუზეუმი. რეიკიავიკი.



ისლანდია. აზოტიანი სასუქების საწარმო. ქ. გუვუნესი.

აღწევს. სანაპიროს გასწვრივ დაბლობი ვაკეების ზოლია. O-ში 200-მდე ვულკანია. ყველაზე ცნობილია ჰეკლა, ლაკი, ასკია, ჰვანდალსჰნუკური (2119 *მ*). რელიეფში შეიმჩნევა ძვ. გამყინვარების ნიშნები.

სასარგებლო წიაღისეული (ისლ. შპატი, გოგირდი, ცხელი წყალი, გადახურებული ორთქლი, მინერ. წყაროები და სხვ.) უკავშირდება ვულკანიზმს. არის ტორფის, ლიგნიტისა და სხვ. უმნიშვნელო საბადოები.

ჰავა სუბარქტიკულია, ზღვისა, განიცდის *გოლფსტრიმის* დიდ გავლენას. სანაპიროზე იანვ. საშ. ტემპ-რა O—2°C, ივლისისა 10—11°C, მთაში, შესაბამისად, —10°C და 0°C. ნალექები სამხრ. ნაპირზე 2390 *მმ* წელიწადში, ჩრდ. ნაპირზე—465 *მმ*, მირდალსიეკუდლის მყინვარის სამხრ. კალთაზე — დაახლ. 4000 *მმ*. ტერიტორიის 11,4% დაფარულია ყინულით.

O-ში მოკლე მდ-ების ხშირი ქსელია, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია თიოურსაუ. ბევრია ტექტონ., ვულკ. და მყინვარული წარმოშობის ტბა.

სანაპირო დაბლობსა და პლატოს დაბალ ნაწილში ვულკ. ტორფოვან-კორდიანი ნიადაგია, შიგა რ-ნებში — მთის არქტიკული.

მცენარეულობა მწირია. გავრცელებულია ხავსი და მღიერი. დიდი ფართობი უჭირავს ტორფოვან ჭაობებსა და მდელოებს. არის არყის ხის პატარა მასივები.

ცხოველებიდან გვხვდება უმთავრესად თეთრი მელა, მლრღნელები, შიგა რ-ნებში — ჩრდ. ირემი და წაულა, სანაპირო წყლებში — მორჟი და სელაპი. ბევრია ზღვის ფრინველი. გარემომცველ ზღვებში დაახლ. 150 სახეობის თევზია, მ. შ. სამრეწვ. მნიშვნელობისაა ქაშაყი, ვირთევზა, პიქშა და სხვ. არის ნაკრძალები.

მოსახლეობა. O-ის ეროვნ. შემადგენლობა ერთგვაროვანია, მოსახლ. 99% ისლანდიელები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე დანიელები, გერმანელები, ნორვეგიელები. მორწმუნე ისლანდიელები პროტესტანტებია (ლუთერანები).

ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული O-ის სამხრ.-დას. ნაწილი (დაახლ. 12 კაცი 1 *კმ*²-ზე). მოსახლ. 70%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია რეიკიავიკი (83 ათ. მცხ., 1978), კოუპავოგური, აკურეირი.

ისტორიული ნარკვევი. O-ის დასახლება IX ს. 70-იანი წლებიდან დაიწყო (მეტწილად ნორვეგიელები, აგრეთვე შვედები, შოტლანდიელები). კოლონისტებმა თავიანთ ქვეყანას Island ანუ „ყინულის ქვეყანა" უწოდეს. მეურნ. მთავარი დარგი გახდა მესაქონლეობა და თევზჭერა. მიწათმოქმედება დამხმარე როლს თამაშობდა. დაახლ. 930 პირველად მოიწვიეს ალთინგი, რ-შიც დიდი გავლენით სარგებლობდნენ წარჩინებულები — გოდები, საგვარეულო მამასახლისები და ქურუმები. 1000 ალთინგის გადაწყვეტილებით ისლანდიელებმა ქრისტიანობა მიიღეს, მაგრამ ახ. რელიგიამ დიდხანს ვერ განდევნა წარმართობა.

XIII ს-მდე O-ში არ ჩამოყალიბებულა კლასობრივი საზ-ბა და სახელმწიფო. მთავარ სოც. ფენას რიგითი, თავისუფალი ადამიანები — ბონდები წარმოადგენდნენ, მაგრამ გვაროვნ. წყობილების საფუძველი — კოლექტიური საკუთრება — უკვე მოიშალა. 1262 O-მ უნია დადო ნორვეგიასთან, ხოლო 1380 მასთან ერთად დანიას შეუერთდა. ვაჭრობა და მდიდარი თევზსარეწები უცხოელების, უმთავრესად დანიელების (იხ. *კალმარის უნია*) მონოპოლია გახდა. XIX ს. შუა წლებში კაპიტალიზმის განვითარებასა და ისლ. ერის ჩამოყალიბებასთან ერთად გაძლიერდა დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა. 1874 და 1903 O-მ ზოგიერთი ავტონ. უფლება მოიპოვა. 1916 შეიქმნა პროფკავშირთა გაერთიანება, ს.-დ. და პროგრ. (ფერმერული) პარტიები. 1918 დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აღმავლობამ აიძულა დანია O. სუვერენულ სახელმწიფოდ ეცნო (დანია-ისლანდიის უნიის საწყისებზე). 1930 დაარსდა ისლანდიის კომუნისტური პარტია (იკპ), რ-იც 1938 გაერთიანდა ს.-დ. პარტიის მემარცხენე ფრთასთან. შეიქმნა ისლ. ერთიანი სოციალ. პარტია (იესპ). II მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმ. მიერ დანიის ოკუპირების (1940 აპრ.) შემდეგ O-ში ინგლ. ჯარები შევიდნენ (1940 წ. 10 მაისი). 1941 ინგლისელები ამერიკელებმა შეცვალეს. ომის წლებში O-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სსრკ-სა და მის მოკავშირეებს შორის საზღვ. კომუნიკაციების უწყვეტობის საქმეში. 1944 მაისში ჩატარებული სახალხო რეფერენდუმით უნია დანიასთან გაუქმდა. 1944 წ. 17 ივნ. O. რესპუბლიკად გამოცხადდა II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაიშალა ბრძოლა O-იდან ამერ. ჯარების გასაყვანად (გაიყვანეს 1947). მიუხედავად საზოგადოებრიობის პროტესტისა 1946 აშშ-მა მიიღო 5 წლის ვადით კეფლავიკის აეროდრომის საჯ. ბაზად გამოყენების უფლება. 1948 O. შეუერთდა ე. წ. მარშალის გეგმას, ხოლო 1949 ნატოს წევრი გახდა. 1951 წ. 5 მაისს სტეინტორსონის კოალიციურმა მთავრობამ აშშ-თან დადო ე. წ. „შეთანხმება" ისლანდიის თავდაცვის შესახებ, რ-ის ძალითაც O-ში კვლავ შევიდნენ აშშ-ის ჯარები. ამ ფაქტმა O-ში მშრომელთა საყოველთაო გაფიცვა (1951 წ. 21 მაისი) გამოიწვია. 1956 ნოემბ. ახ. მემარცხენე ცენტრისტულმა (1956—58) მთავრობამ მოლაპარაკება გამართა აშშ-თან 1951 წ. 5 მაისის შეთანხმების გადასინჯვის თაობაზე, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. 1958 მთავრობამ გააფართოვა თევზსაჭერი ზონა 4-იდან 12 მილამდე (1972—50 მილამდე). 1959 შეიქმნა კონსერვატორებისა და სოციალ-დემოკრატების კოალიციური მთავრობა. 60-იანი წწ. ბოლოს მთავრობის ცდამ გადაელახა ეკონ. სიძნელეები მშრომელთა ხარჯზე (შემცირდა თევზის მოპოვება, გატარდა კრონის დევალვაცია), საგაფიცვო მოძრაობის ახ. აღმავლობა გამოიწვია (1968 მარტში, 1970 მაის-ივნისში). 1971 ივლ. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა მემარცხენე ცენტრისტული (პროგრ. პარტია, სახ. კავშირი, თავისუფლად მოაზროვნეთა და მემარცხენეთა ორგანიზაცია) მთავრობა ო. იოჰანესონის მეთაურობით, რ-მაც თავის პროგრამაში ეროვნ. განვითარებისა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი დასახა. ეკონომიკურად O. კვლავ მჭიდროდაა დაკავშირებული ნატოს მთავარ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით აშშ-თან. მთავრობის მიერ 1978 იანვ-ში გამოქვეყნებული ეკონ. განვითარების პროგრამა (1977—80) ითვალისწინებს უცხ. კაპიტალის მიზიდვას და უცხ. სესხის მილებას.

ეკონომიკა. ეკონ. საფუძველია თევზჭერა და თევზის გადასამუშ. მრეწველობა. თევზის პროდუქციის ექსპორტით O. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მეურნ. წამყვან დარგში — თევზსაკონსერვო მრეწველობაში — ბატონობს კერძო კაპიტალი. ეკონომიკაში აქტ. როლს თამაშობს სარეწაო და გამსაღებელი კოოპერაცია. იზრდება სახელმწ.-მონოპ. სექტორის მნიშვნელობა, დიდია უცხოეთის კაპიტალის გავლენა.

თევზჭერით (1550 ათ. ტ, 1978) O. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დას. ევროპაში, ხოლო მოსახლ. 1 სულზე გაანგარიშებით (დაახლ. 6 ტ წელიწადში) — პირველ ადგილზეა მსოფლიოში. თევზის გადასამუშ. ცენტრებია: რეიკიავიკი, სიგლუფიორდური, აკურეირი და სხვ. სანაპიროზე მისდევენ ვეშაპთრეწვას. ცხელი წყაროები გამოყენებულია რეიკიავიკის თბოფიკაციისათვის და საკვალსათბურე მეურნეობებში. განვითარებულია თევზსაჭერი გემთმშენებლობა, ლაქ-საღებავების, საფეიქრო, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლისა და ხის დასამუშ. მრეწველობა. ვითარდება აზოტიანი სასუქების, ალუმინის, ცემენტის წარმოება.

სოფ. მეურნეობა წვრილსასაქონლო ხასიათისაა. სას.-სამ. მიწები გამოყენებულია უმთავრესად საძოვრებად. სოფ. მეურნ. საფუძველია სახორცე-სამატყლე მეცხვარეობა და სარძეო მეცხოველეობა. 1978 O-ში იყო (ათ. სული): ცხვარი — 896, მსხვ. რქ. საქონელი — 63, ცხენი—49,5. მოჰყავთ უმთავრესად საკვები ბალახი და კარტოფილი, კვალსათბურებში—პამიდორი, კიტრი.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზღვ. ტრანსპორტი. 1978 O-ის თევზსაჭერ. ფლოტში იყო 992 გემი (191,8 ათ. ბრუტო სარეგისტრო ტ). საავტ. გზის სიგრძე 10 ათ. *კმ*-ზე მეტია. რკინიგზა არ არის.

1978 O-ის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 339,5 მლრდ კრონა. გააქვთ თევზი და თევზის პროდუქტები (ექსპორტი ღირებულების 75,4%, 1978), სამრეწვ. საქონელი, მეცხოველეობის პროდუქტები, შეაქვთ თხევადი საწვავი, მანქანათმშ. მსუბუქი და კვების მრეწვ. პროდუქცია. O-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, გფრ, სსრკ, სკან. დინავიის ქვეყნები.

განათლება. 1946 O-ში გამოვიდა კანონი 7—15 წლის ასაკის ბავშვთა უფასო სავალდებულო სწავლების შესახებ. მეჩხერ დასახლების გამო O-ის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მუშაობს ე. წ. მოძრავი სკოლები, რ-ებსაც ცვლის სკოლა-ინტერნატები. დაწყ. (საბავშვო) სკოლა 6-წლიანია. რ-ის დამთავრების შემდეგ შეიძლება სწავლის გაგრძელება 2-წლიან მოზარდთა სკოლებში (პატარა სოფლებში), 3-წლიან საშ. სკოლებში (დაბებსა და პატარა ქ-ებში), 4-წლიან რეალურ სასწავლებლებში (დიდ ქ-ებში). საშ. სკოლის ან რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელება შეიძლება 4-წლიან გიმნაზიაში (ფილოლ. ან მათ. განხრით) ან სპეც. სასწავლებლებში. (სანაოსნო, რადიოტექ., კომერც., სას.-სამ., პედ. და სხვ.); გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ უნ-ტში შესვლის უფლება. 1975 დაწყ. სკოლებში სწავლობდა 29 ათ. მოსწავლე. საშ. ზოგადსაგანმან. სკოლებში — 15,5 ათ-მდე, დაწყ. და საშ. სასწავლებლებში — 21,5 ათ. მოსწავლე. უმაღლესი სასწავლებელია O-ის უნ-ტი რეიკიავიკში (დაარსდა 1911, არის თეოლ

ბმედ., ეკონ., სამართლის, ფილოს., ხე-
ოვნ. საინჟინრო ფაკ-ტები. 1975 სწავ-
ობდა 1700 სტუდენტი).

Ი-ის ძირითადი სამეცნ.-კვლ. დაწესე-
ულებები არის რეიკიავიკში; საკოორდი-
ციო ორგანოა გამოკვლევათა ეროვნ.
ბჭო. უნ-ტთან არსებობს (1937-იდან)
ამეცნ.-კვლ. ინ-ტი თევზის მეურნ., სას.-
ამ. მეცნიერებათა, საწარმოო კვლევისა
ა კონტროლის განყ-ბები, არის აგრეთვე
ექტერიოლოგიური და პათოლ. ინ-ტები
ა სხვ.

რეიკიავიკში არის ეროვნ. ბ-კა (დაარ-
და 1818; 280 ათ. ტ.), საჯარო ბ-კა (115
ა. ტ.), Ი-ის ეროვნ. მუზეუმი (1863), სა-
უნებისმეტყველო ისტ. მუზეუმი (1889),
ახელმწ. სამხატვრო გალერეა (1885).

1978 Ი-ში გამოდიოდა 80-მდე გაზეთი
ა რამდენიმე ათეული ჟურნალი. დიდი
ოველდღიური გაზეთების საერთო ტირა-
ი 90 ათ. ცალზე მეტია. 1930-იდან მუშა-
ბს სახელმწ. რადიოსადგური (ისლ. ენა-
ე), 1966-იდან მიმდინარეობს ტელეგადა-
უმები.

ლიტერატურა. ისლ. ხალხის ლიტ-რას
ითავე ძვ. სკანდ. ზეპირსიტყვიერებაში
ქვს. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XIII
-ში ჩაწერილმა ფოლკლორული პოეზიის
ოგიერთმა ნიმუშმა. მათგან მნიშვნელო-
ანია *ედა* უფროსი — მითოლ. და პერიო-
ელი სიმღერების კრებ., და სკალდების
ოეზია, რ-იც IX—XIII სს. ცხოვრებას
ასახავს. XII ს-ში აგროვებდნენ და იწერ-
ნენ თქმულებებსა და ცნობებს ქვეყნის
ორველ მოსახლეთა და მეფეთა შესახებ,
III—XIV სს-ში შეიქმნა საგები და სარა-
ბდო რომანები. XIV ს. ლიტ. ჟანრებია
ელიგ. პოეზია და ე. წ. რიმები — გალექ-
ილი სხვადასხვაგვარი რომანტ. სიუჟე-
ები. XVI ს-ში ძირითადად აგროვებ-
ნენ და იწერდნენ ძვ. ხელნაწერებს. XVII
-ში მოღვაწეობდნენ პოეტი ჰ. პიეტურსონ
ი და პროზაიკოსი ი. ოულაფსონი. ისლ.
ლიტ-რის განმანათლებლური პერიოდი და-
ყო ე. ოულაფსონის (1726—68) შემოქ-
მედებით. XVIII ს. დასასრ. შეიქმნა პირ-
ელი ისლ. კომედიები. ისლ. ლიტ-რის
ეორძინება უკავშირდება ქვეყნის დამოუ-
კიდებლობისათვის პოლიტ. ბრძოლასა
ა რომანტიზმის ხანას. პირველი ისლ.
რომანი „ჭაბუკი და ქალიშვილი" (1850)
აწერა ი. ტორფდსენმა (1818—68). ისლ.
ეალიზმის განვითარებაში თავისებური
ილი ითამაშა დან. კრიტიკოსმა გ. ბრან-
ესმა. რეალისტური ლიტ-რის მნიშვნე-
ოვანი წარმომადგენელია ჰ. *ლაქსნე-*
, გ. პაულსონი (1852—91). XX ს. და-
წყისში ლიტ-რა აღმავლობის გზას და-
ადგა. განვითარდა დრამატურგია (ი. ეი-
რსონი, 1851—1939, ი. სიგურიოუნსონი,
80—1919), ან. გზები დაისახა პოეზიაში,
ოზაში. II მსოფლიო ომის შემდეგ დიდი
ეზონანსი ჰქონდა პოეტების ჰ. სიგფუსო-
ს (დ. 1922), ს. დადასონის (დ. 1928),
ოუსკარის (დ. 1921), პროზაიკოს ტ.
ლჰიაუმსონის (დ. 1925), დრამატურგ
ბოგასონის (დ. 1917), პუბლიცისტ ი.
რნასონისა (დ. 1922) და სხვ. შემოქმე-
ებას.

ხელოვნება. ისლანდიელები ძველთაგან-
კორდისა და ტორფის ბლოკებით აშე-
ბდნენ „გრძელ სახლებს". XI—XII სს-
ან განვითარდა ხეზე კვეთის ხელოვნე-
(წნული ორნამენტი, სტატუები და
ბ.), რ-იც ატარებდა რომანული ხელოვნე-
ა და ნორმანული ტრად. ნიშნებს. ტრად.
ული ორნამენტით ამკობდნენ XII—XIII
. ვერცხლის თასებს, XIV—XV სს. გოტი-
ურ მინიატიურებს. XVIII ს-ში ქ-ებში
ენებდნენ ქვის შენობებს (ტაძრები ჰოუ-
ვარსა და რეიკიავიკში). XIX ს-ში ჩამო-
ლიბდა 2—3-სართულიანი საცხოვრ. სახ-
ის ტიპი. საშენ მასალად იყენებდნენ შე-
ტანილ ხე-ტყეს, ტუფს, ბაზალტს. ერ-
ნ.-განმან. ბრძოლის გაძლიერების პერი-
ოდში შეიქმნა ისლ. ფერწერა. განვითარდა
პორტრეტისა (სიგურდურ გუდმუნდსონი) და
პეიზაჟის (ტოურარინ ტორლაუპსონი) ჟან-
რები. XX ს-ში იქმნება რეალისტური ფერ-
წერის ნიმუშები, რ-ებშიც ასახულია ბუ-
ნების სურათები (კიარვალი, ი. სტეფაუნ-
სონი), ზღაპრები და ლეგენდები (გუდ-
მუნდურ ტორსტეინსონი), მშრომელი ხალ-
ხის ცხოვრება (კრისტინ იოუნსდოუტი-
რი). მოქანდაკეთაგან ცნობილი არიან
ეინარ იოუსონი, სიგურიოუნ ოულაფსო-
ნი. 20-იან წლებში არქიტექტურაში და-
ინერგა თანამედროვე ფორმები და კონსტ-
რუქციები. აშენებდნენ 4—5-სართულიან
სახლებს, ადმ. და საზ. შენობებს (არქიტ.
სიგურდურ გუდმუნდსონი, გუდიოუნ სამუ-
ელსონი). ფერწერაში რეალისტური ხე-
ლოვნ. გვერდით არსებობს მოდერნისტუ-
ი მიმდინარეობები. ხალხ. შემოქმედების
ტრად. სახეებია — კვეთა, ქარგვა, ქსოვა.

Ი-ის ხალხ. მუსიკის უძველესი ნიმუშე-
ბი — სიმღერა-იგავები—შემონახულია ისლ.
ეპოსში. ქრისტიანობის გავრცელების შემ-
დეგ მკვიდრდება ჯერ გრიგორიანუ-
ლი, შემდეგ კი პროტესტანტული ქორა-
ლი. ამ პერიოდის ხალხ. მუსიკა უპირატე-
სად ვოკალურია, წარმოდგენილია გმირუ-
ლი სიმღერებით (რიმური და ვიკივაკი).
ხალხ., საკრავებია: ლანგშპილი (ხემიანი
საკრავი) და ვიოლინო. პროფ. მუსიკის
განვითარება დაიწყო XIX ს. დასასრულს.
მისი ფუძემდებელია კომპოზიტორი ს. სვე-
ინბიორნსონი (ეროვნ. ჰიმნის ავტორი).
XIX—XX სს. მიჯნაზე მოღვაწეობდნენ
კომპოზიტორები: ჰ. ჰელგასონი და ი. ლაქ-
სდალი. თვალსაჩინო მუსიკოსები არიან:
კომპოზიტორები — პ. ისოულფსონი, ი.
ლეიფსი, ე. ტორფდსენი; მომღერლები—
გ. სიმონარი, ფ. პაულსდოუტირი, ს. ის-
ლანდი; პიანისტი — ა. ბეიტენსონი და
სხვები. მუს. ცენტრია რეიკიავიკი (სა-
ხელმწ. სიმფ. ორკესტრი, კამერული ან-
სამბლები, ეროვნ. თეატრი, მუს. სკოლე-
ბი, მუს. საზ-ბები).

თეატრ. ხელოვნ. ელემენტები ჯერ კი-
დევ სკალდების პოეზიასა და ძვ. საგებში
ჩანს. პირველი თეატრ. წარმოდგენები
(1720-იდან) იმართებოდა სკაულჰოლტის
ლაო. სკოლაში, რ-იც 1799-იდან მუშაობ-
და რეიკიავიკში და XIX ს. I ნახევარში
Ი-ის თეატრ. კულტურის ერთადერთ ცენტრს
წარმოადგენდა. 1897 შეიქმნა რეიკიავი-
კის თეატრ. საზ-ბა, პირველი პროფ. თე-
ატრი, რ-ის ბაზაზე 1950 ყალიბდება ეროვნ.
თეატრი. დგამდნენ ისლ. დრამატურგთა
პიესებს, ლრამ. და მუს. სპექტაკლებს,
აგრეთვე ჰ. ლაქსნესის, ჰ. იბსენის, ბ.
შოუს, ა. ჩეხოვის, ნ. გოგოლის და სხვ.
პიესებს. თეატრ. მოღვაწეთაგან აღსანი-
შნავია: ი. ვოგე, ლ. პაულსონი, ბ. ჰალ-
დორსონი, რ. არნფინსონი და სხვ. ეროვნ.
თეატრთან არსებობს დრამ. სკოლა.

ლიტ.: Андрессон К. Е., Современная исландская литература. 1918—1948, пер. с исл., М., 1957; Бенедиктссон Г., Исландия в борьбе за независимость (1940—1955), пер. с исл., М., 1958; Выставка живописи Исландии. Каталог, М., 1959; Колли Н., Архитектура Исландии, «Советская архитектура», 1960, № 12; Ольгейрссон Э., Из прошлого исландского народа, пер. с исл., 1957; Серебряный Л. Р., Исландия, М., 1969; Стеблин-Каменский М. И., Культура Исландии, Л., 1967; Ѳ и с з э. Мир саги, Л., 1971.

ისლანდიელები, ერი, ისლანდიის ძირი-
თადი მოსახლეობა. რაოდ. 224 ათ. კაცი
(1978). ცხოვრობენ აგრეთვე კანადასა და
აშშ-ში. ლაპარაკობენ ისლანდიურ ენაზე.
მორწმუნენი პროტესტანტებია (ლუთერა-
ნები). Ი. ძვ. სკანდინავიელთა, ძირითა-
დად IX — X სს-ში ნორვეგიიდან გადმო-
სახლებულთა შთამომავლები არიან. მათ
ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ აგრე-
თვე შოტლანდიასა და ირლანდიაში სკანდ.
სამფლობელოებიდან გადმოსულთა შთამო-
მავლები. XI — XIII სს-ში მიმდინარეობდა
Ი-ის ეროვნ. კონსოლიდაციის პროცესი,
მაგრამ ამ პროცესს აფერხებდა ისლან-
დიაში დანიის ხანგრძლივი ბატონობა
(1380-იდან). დანია-ისლ. უნიის საფუძველ-
ზე 1918 დანიამ ცნო ისლ. სუვერენული
უფლებები. 1944 უნია გაუქმდა და ისლან-
დია რესპუბლიკად გამოცხადდა. Ი-ის ძი-
რითადი საქმიანობაა თევზჭერა, თევზის
გადამუშავება, სოფ. მეურნეობა. Ი-ის ისტ.,
ეკონ. და კულტ. შესახებ იხ. სტ. *ისლანდია.*

ისლანდიის დეპრესია, ისლანდი-
ის მინიმუმი, დაბალი ატმოსფე-
რული წნევის არე ატლანტის ოკეანის ჩრდი-
ლო ნაწილში — კ. ისლანდიის მახლობ-
ლად; მნიშვნელოვანი *ატმოსფეროს მოქ-
მედების ცენტრი* ჩრდ. ნახევარსფეროში.
განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული
ზამთარში, როცა წნევა დეპრესიის ცენტრ-
ში 996 *მბარ*-ზე ნაკლებია. Ი. დ-ის საშრ.
კიდეზე მიწისპირა ჰაერი ატლანტის ოკეა-
ნიდან ევროპის ტერიტორიაზე გადადის და
ზოგჯერ კავკასიამდეც აღწევს. ცივი ჰაე-
რის მასების შემოჭრის შედეგად დას. სა-
ქართველოში მოდის თავსხმური ნალექები,
შავ ზღვაზე იწყება შტორმი.

შ. ჯავახიშვილი.

ისლანდიური ენა, გერმანიკულ ენა-
თა სკანდინავიური ჯგუფის ენა. გა-
ვრცელებულია ისლანდიასა (დაახლ. 200
ათ. კაცი) და ჩრდ. ამერიკაში (დაახლ. 40
ათ. კაცი). უძველესი წერილობითი ძეგ-
ლების (XII—XIII სს.) ენა ძალზე ახლო-
საა ნორვეგიულთან, შემდგომ საუკუნეებ-
ში ცვლილებები განუცდია Ი. ე-ის ფონეტ.
სისტემას, ხოლო გრამატ. წყობა თითქმის
არ შეცვლილა. ნასესხები სიტყვები ცოტაა.

ისლანდიური საგები, ძვ. ისლანდიური
ლიტერატურის პროზაული ძეგლები. ში-
ნაარსის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად
იყოფა. ე. წ. საგვარეულო საგები ანუ „სა-
გები ისლანდიელთა შესახებ" მოგვითხ-
რობს ისლ. ხალხის ცხოვრებას მათი დას-
ახლების (IX ს. დასასრ.) დროიდან XI ს.
შუა წლებამდე. ისინი ჩაწერილია XIII
ს-ში, ავტორები უცნობი არიან. Ი. ს. რეა-
ლისტური ნაწარმოებებია, რ-ებიც უმთავ-
რად ასახავენ ისლ. ისტ. მოვლენებს,
მათში ზღაპრულ-მითოლ. და ფანტასტ.
ელემენტები უმნიშვნელოა, გმირები არ
არიან გაიდეალებულნი; Ი. ს-თვის დამახა-
სიათებელია ეპიკური უბრალოება, თხრო-
ბის ობიექტურობა, ცოცხალი დიალოგები,
საგმირო საქმეთა აღწერა, ლრმა ფსიქო-
ლოგიზმი. ამ მხრივ აღსანიშნავია „ნია-
ლის საგა", „ეგილის საგა", „გრეტირის
საგა", „ნორვეგიის მეფეთა საგებიდან"
(„ოლაფ ტრიუგვასონის საგა", „კნიუტლინ-
გების საგა" და სხვ.) გამოირჩევა სნორი
სტურლუსონის (დაახლ. 1230) „ჰეიმს-
კრინგლა" და სტურლ ტორდარსონის (გ.
1284) უკანასკნელ მეფეთა საგები. ესენი
უმეტესად ეყრდნობა ზეპირ გადმოცემებს
და სკალდების პოეზიას, ზოგჯერ—დოკუ-
მენტებსაც. ეპისკოპოსთა და ისლ. ბელადე-
თა საგებს უფრო ქრონიკის ხასიათი აქვს.
შეინიშნება რელიგ. ან მორალისტური
ტენდენციაც. ეს საგები ძირითადად XIII
ს-შია დაწერილი და თითქმის ყველა შე-
სულია კრებულში „სტურლუნგების სა-
გა". XIII ს. II ნახევარს და XIV ს. I ნა-
ხევარს განეკუთვნება „ძველ დროთა სა-
გების" ხელნაწერები. XIV ს-იდან საგვა-
რეულო საზ-ბის დაშლასთან ერთად Ი. ს.
აღარ იქმნებოდა.

ისლანდიური ხავსი (Cetraria islandi-
ca), ბუჩქისებრი მღიერი (და არა ხავსი)
პარმელიასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე
12 *სმ* აღწევს. გავრცელებულია ტყისა და
ტუნდრის ზონაში. შეიცავს ნახშირ-
წყლებს — ლიქენინსა და იზოლიქენინს.
ჩრდ. ირმის საკვებია.

ისლარი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში
(ფარცხნალის სოფსაბჭო), მდ. ჯიხეე-
ლის (ჩხერიმელის შენაკადი) ხეობაში.
ზ. დ. 360 *მ*, ორჯონიკიძიდან 2 *კმ*. ფარ-
ცხნალის კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვ-



ისლანდია. მოჩუქურთმებული ხის კარი. 1840. ისლანდიის ეროვნული მუზეუმი. რეიკიავიკი.

ისლანდია. ეიაფიორდის კოოპერატიული საზოგადოების სასტუმრო (მარცხნივ) და კანტორის შენობა (მარჯვნივ) აკურეირი. ორივე 1930. შუაში—ეკლესია (1941. არქიტექტორი გუდიოუნ სამუელსონი).

ისლანდია. ეინარ სვეინსონი. სამედიცინო ცენტრი. რეიკიავიკი. 1946—50.

ისლანდია. სიგურდურ სიგურდსონი. „ქალიშვილი". 1957. მხატვრის კუთვნილება.

ისლანდიური ხავსი.

ისლი (Carex buschiorum).

ისლურა (Luzula pseudosudetica).

რეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა დაბა ორჯონიკიძეში.

ისლი (Carex), მცენარეთა გვარი ისლისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი კორდის შემქმნელი ფესურიანი ბალახებია. აქვთ სამწახნაგოვანი, იშვიათად მომრგვალო ღერო, რ-იც შემოსილია ხაზური ან ლანცეტა ფოთლებით. O-ის 2000-მდე სახეობაა ცნობილი. უმეტესობა გავრცელებულია ზომიერი და ცივი ჰავის ზონებში. სსრკ-ში 400-მდე, ხოლო საქართველოში 90-მდე სახეობა გვხვდება. ხარობს თითქმის ყველანაირი ტიპის ადგილსამყოფელში — ტყის ზონაში, უდაბნოში, ტუნდრაში და ალპურ მდელოებზე. განსაკუთრებით ბევრია ყველა ზონის ტენიან და ჭაობიან ადგილებში. იყენებენ სასილოსედ და თივად, ზოგ სახეობას — ჭილობის, ჩანთებისა და ქუდების მოსაქსოვად, ნაგებობათა გადასახურავად, იშვიათად თოკსაც გრეხენ. მსხვილი O-გან მზადდება ქალალდი და სხვ. *კ. ქიმერიძე.*

ისლიანი, *მცენარეთა თანასაზოგადოება,* რ-შიც გაბატონებულია *ისლი.* გავრცელებულია ყველა ზონაში, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყის ზონის დაჭაობებული მდელოების და ქვედური ჭაობების მცენარეულ საფარში. წყალსატევების და მდორე მდინარეთა სანაპიროებზე, სადაც ზედაპირული წყლის დონე სეზონურად და წლითიწლობით მკვეთრად მერყეობს, განვითარებულია ორიგინ. ტიპის კოლბოხოვანი O. (კოლბოხთა სიმაღლე ხშირად 1—1,3 *მ*-მდე აღწევს). O. გვხვდება აგრეთვე უდაბნოში, ველებსა და მთებში. კავკ. მაღალმთიანეთის O-ში უმეტესად გაბატონებულია Carex meinshauseniana, ხოლო უდაბნოსა და ველებში — Carex physoides, C. pachystylis, C. supina, C. humilis და სხვ. ამგვარი O. კარგ საძოვარ-სავარგულადაა მიჩნეული. ყვავილობამდე მოთიბული O-ის თივა საკვები ღირებულებით მარცვლოვანთა თივას უახლოვდება. იყენებენ სასილოსედაც. *კ. ქიმერიძე.*

ისლისებრნი (Cyperaceae), ერთლეტნიანი მცენარეების ოჯახი. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია. ცნობილია 90-მდე გვარის 400-მდე სახეობა. გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, განსაკუთრებით ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერი და ცივი ჰავის ზონებში, უმთავრესად ტენიან და ჭაობიან სუბსტრატზე. სსრკ-ში 20 გვარის 550-მდე სახეობაა, საქართველოში — 22 გვარის 140 სახეობა. ზოგი სახეობისაგან ქსოვენ ჭილობებს, ქუდებსა და ჩანთებს, პაპირუსისაგან ძველთაგანვე ამზადებდნენ ქალალდს. ბევრი სახეობა ტორფწარმომქმნელია, ზოგი — სამკურნალო და დეკორატიული. *კ. ქიმერიძე.*

ისლურა (Luzula), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეების გვარი ჭილისებრთა ოჯახისა. ღერო შეფოთლილია ბრტყელი, ხაზურ-ლანცეტა კიდებეწვიანი ფოთლებით. ნაყოფი ერთბუდიანი და სამთესლიანი კოლოფია. O-ის 80 სახეობა მეტწილად გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში. სსრკ-ში 30 სახეობა გვხვდება, მათგან საქართველოში — 8; საქართველოში იზრდება მთის შუა და ზედა სარტყლის ტყეებში. ხშირად გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, ალპურ ხალებზე, ქვიან და კლდოვან ფერდობებზე. O. არსად არ ქმნის დამოუკიდებელ ცენოზებს.

ისმაილ I (17. VII. 1487, არდებილი,— 23. V. 1524, იქვე), სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი, სეფევიეს ორდენის შეიხის ერთ-ერთი ვაჟი. 1500—01 ყიზილბაში ტომების მხარდაჭერით თავისი ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა აზერბაიჯანი, დაიკავა ქ. თავრიზი და თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. 1503—10 დაიმორჩილა თითქმის მთელი ირანი, სომხეთი, არაბ. ერაყი, შუა აზიის ნაწილი და ზოგიერთი მეზობელი ოლქი. 1514 დამარცხდა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩალდირანთან და დაკარგა დას. სომხეთი, ქურთისტანი და არაბ. ერაყი. XVI ს. დასაწყისში O. I-მა ილაშქრა საქართველოში (იხ. *ისმაილ I-ის ლაშქრობანი საქართველოში*). 1518-იდან აღმ. საქართვ. მეფეები და სამცხის მთავარი სეფიანთა სახელმწ. ვასალები გახდნენ. O. I-მა სახელმწ. რელიგიად გამოაცხადა შიიზმი. ხელს უწყობდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. მფარველობდა პოეტებს, მხატვრებს, სწავლულებს. იგი ცნობილი აზერბ. პოეტია (წერდა ხათაის ფსევდონიმით).

ისმაილი (ძვ. ებრ., სიტყვასიტყვით — „ღმერთი გაიგონებს"), ბიბლიური პერსონაჟი; აბრაამისა და მისი მონა-ხარჭის, ეგვიპტელი აგარის ძე. მას შემდეგ, რაც აბრაამის ცოლს სარას ისააკი შეეძინა, მისი დაჟინებული ძოთხოვნით აბრაამმა O. და დედამისი უდაბნოში განდევნა ბიბლიის კომენტატორთა აზრით, O. არის ისრაელების ახლომონათესავე არაბი (ბედუინები) ტომის წინაპარი. მუსლ. ტრადიციით (ყურანი), O. წინასწარმეტყველი და მაჰმადის უშუალო წინამორბედია. უცოცხლია 130 წელი. ასვენია მექაში, ქაბის მახლობლად.

ისმაილია, ქალაქი ეგვიპტეში, სადაც ისმაილიის არხი უერთდება თიმსაჰის ტბას. 190 ათ. მცხ. (1974). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. მოსახლ. დიდი ნაწილი ემსახურება სუეცის არხს, რ-იც გადის თიმსაჰის ტბაზე. არის ტელე- და რადიოაპარატურის ამწყობი ქ-ნა. O-ის რ-ნში კარიერებია, სადაც ამუშავებენ საშენ ქვას. O. დაარსდა 1863 სუეცის არხის მშენებლობის დროს.

ისმაილიტები, მუსლიმანურ-შიიტური (იხ. *შიიტები*) სექტის მიმდევრები. სექტა წარმოიქმნა VIII ს. სახალიფოში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. O. ეწოდათ შიიტების მეექვსე იმამის, ჯაფარ სადიკის უფროსი ვაჟის, ისმაილის სახელის მიხედვით. გამოხატავდნენ სოც. ცვლილებებისათვის მებრძოლი შიიტების მისწრაფებას. IX ს-ში O. ორ ჯგუფად გაიყვნენ: პირველნი — ფატიმიდები — აღიარებდნენ „ფარულ იმამებს", მეორენი (მოგვიანებით კარმატებად წოდებულნი)— ისმაილის ძეს, მაჰმადს, ცნობდნენ მემკვიდე და უკანასკნელ იმამად, რ-ის შემდეგ უნდა მოსულიყო *მაჰდი.* O-ის სექტა წარმოადგენდა საიდუმლო ორგანიზაციას, რ-ის წევრები 7 საფეხურად იყოფოდნენ. ორგანიზაციის პოლიტ. მიზნები დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და მხოლოდ სექტის ზედა საფეხურის ხელმძღვანელ-ფეოდალებისათვის იყო ცნობილი. სექტის რიგითი წევრებისათვის ე. წ. „საგარეო", ზოგადი მოძღვრება არსებობდა. XI ს. I მეოთხედში O-ს გამოეყო *დრუზების* სექტა. 1078 შემდეგ ფატიმიდები გაიყვნენ ნიზარიტებად და მუსთალიტებად (ფატიმიდი ხალიფა მუსთანსირის ვაჟების ნიზარისა და მუსთალის სახელების მიხედვით). მუსთალიტებმა უპირატესობა მოიპოვეს ეგვიპტეში, ნიზარიტებმა — სირიაში, ინდოეთსა და ირანში. ირანში ნიზარიტებმა შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, რ-ის ცენტრი იყო ალამუთი (1090—1256).

O-ის უმრავლესობას ამჟამად ნიზარიტები შეადგენენ; ცხოვრობენ პაკისტანში, ინდოეთში, ირანში, ერაყში, სირიასა და სხვ., სსრკ-ში მთიანი ბადახშანის ავტ. ოლქში. O-ის იმამის ადგილსამყოფელი XIX ს. 40-იან — XX სს. 40-იან წლებში იყო ბომბეი. სექტის ზედაფენა სოციალურად თანდათან გადაგვარდა, შეერწყა მსხვილ ბურჟუაზიას, დაუახლოვდა ინგლ. კოლონ. ხელისუფლებას და შიიტური ირანის მონარქიულ რეჟიმს. XIX ს. შუა წლებიდან სექტის იმამები ატარებენ აღა-ხანის ტიტულს, რ-საც XX ს-ში დაემატა ინგლ. დედოფლისა და ირან. შაჰის მიერ (49-ე იმამ აღა-ხან IV ქარიმისათვის) ნაბოძები „სამეფო უმაღლესობის" ტიტულიც. XI—XVI სს-ში ინდ. დას. სანაპიროებზე ეგვიპტიდან და იემენიდან გადასახლდა მრავალი მუსთალიტი, რ-თაც მიმდევრები გაუჩნდნენ ინდუს ვაჭარ-მეკანაბეთა შორის. მათ შექმნეს მუსთალიტური სავაჭრო-რელიგ. თემი „ბოჰრა". ამ კასტური ორგანიზაციის წევრები დასახლდნენ მთელ ინდოეთში, აგრეთვე აღმ. აფრ., სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნებსა და არაბეთში. XIX—XX სს. მიჯნაზე მუსთალიტურ სექტაში გაბატონებული მდგომარეობა ბურჟ. ზედაფენამ მოიპოვა.

ლიტ.: Беляев Е. А., Мусульманское сектантство, М., 1957; Петрушевский И. П., Ислам в Иране в VII—XV веках, [Л.], 1966 (ბიბლიოგრ.). *ვ. ჩოჩიევი.*

ისმაილ I-ის ლაშქრობანი საქართველოში, ირანის შაჰის მიზანი იყო ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება და ოსმალეთის წინააღმდეგ თავისი პოზიციის გამტკიცება. ისმაილ I-მა სხვადასხვა საბაბით რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. შაჰად გახდომამდე, 1500 შემოდგომაზე ბასიანიდან საქართველოში გაგზავნა ხოლეფაბეგი. ყიზილბაშებმა სამცხე-საათაბაგო დაარბიეს და დიდი ნადავლი იგდეს ხელთ. 1516 სამცხის მთავარს ყვარყვარე III ჯაყელს აუჯანყდა ბიძა მანუჩარი და ძმისწულს ტახტი წაართვა. ყვარყვარემ დახმარებისათვის ისმაილ I-ს მიმართა. ყიზილბაშები დიე-სულთნის მეთაურობით სამცხეს შეესივნენ, მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. დიე-სულთანმა თმოგვის ციხე აიღო და ყვარყვარე III-ს თავისი უფლებები აღუდგინა. 1518 მანუჩარი ოსმალთა ჯარით სამცხეს შეესია, მაგრამ დამარცხდა. დიე-სულთანი ისევ შეიჭრა საქართველოში, ოდიში დაარბია და უკან გაბრუნდა. რადგან მანუჩარი ბრძოლას განაგრძობდა, ყვარყვარე III-მ კვლავ ისმაილ I-ს სთხოვა დახმარება და დიე-სულთნის სარდლობით გამოგზავნილ ლაშქარს წამოუძღვა საქართველოში. ყიზილბაშებმა გორი და სურამი აიღეს. 1521 კახეთის მეფე ლევანმა შაქი დაარბია. ამის საპასუხოდ ისმაილ I-მა საქართველოში კვლავ დიე-სულთანი გაგზავნა, რ-მაც გრემი და ზაგემი დაარბია. ლევანი ყიზილბაშებს დამორჩილდა და ვასალობა აღიარა. ამ ლაშქრობათა მიუხედავად, ისმაილ I-მა ვერ შეძლო საქართველოს დაპყრობა.

წყარო: პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ელ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: კაციტაძე დ., ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობის საკითხისათვის), «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966. *რ. კიკნაძე.*

ისმაილ სამანის მავზოლეუმი, სამანიდების დინასტიის სამეფო ბუხარაში (უზბ. სსრ), შუა აზიის ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი (IX—X სს. მიჯნა). შემკულია აგურის წყობით გამოყვანილი მრავალსახიანი მორთულობით. ღია ფერის აგურით ნაგები კუბის ფორმის შენობა დაგვირგვინებულია თაღოვანი გალერეით, რ-საც ოთხივე კუთხეში გუმბათები აქვს, შუაში კი აღმართულია 8-წახნაგა ყელზე დაყრდნობილი დიდი გუმბათი. ყოველი ფასადის ცენტრში ისრისებრი ნიშია კარის ღიობით. O. ს. მ-ში ჩამოყალიბებული კომპოზიცია ფართოდ გავრცელდა შემდგომი საუკუნეების შუა აზიის არქიტექტურაში.

ისმაილ-ფაშა (31. XII. 1830, კაირო,— 2. III. 1895, სტამბოლი), ეგვიპტის გამგებელი 1863—79. 1867 ოსმ. სულთნისაგან მიიღო *ხედივის* ტიტული. გააფართოვა ეგვ. (რ-იც ფორმალურად ოსმ. იმპერიის ნაწილად ითვლებოდა) ავტონომია; გააატარა რეფორმები, რ-ებმაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის კაპიტალ. განვითარებას. თავისი გეგმების განსახორციელებლად სესხს იღებდა ევრ. სახელმწიფოებისაგან. მათი

ფინანს. კონტროლისაგან (დაწესდა ეგვიპტეზე 1876) გასანთავისუფლებლად ი.-შ-მ სცადა დაკავშირებოდა ერთენ.-განმათ. მოძრაობას. ამის გამო ევროპელების მოთხოვნით ოსმ. სულთანმა ი.-შ. ხელისუფლებას ჩამოაშორა.

ისოკრატე (Isokratēs) (ძვ. წ. 436, ათენი, — ძვ. წ. 338, იქვე), ძვ. ბერძენი ორატორი, სოფისტების მოწაფე. იყო სოკრატეს მსმენელიც. ათენში დააარსა ორატორული ხელოვნების სკოლა, სახელმწ. მმართველობის ფორმებიდან მონარქიას ანიჭებდა უპირატესობას. მოუწოდებდა ბერძნებს პოლიტ. გაერთიანებისაკენ და აღმოსავლეთში სპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ. ვარაუდობენ, რომ ი-ს 60-მდე სიტყვა ჰქონდა შედგენილი, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ 21-მა მოაღწია. მათგან ყველაზე ცნობილია „პანეგირიკი" (Panēgyrikos), რ-იც დაწერილია ძვ. წ. 380 ი-თვის დამახასიათებელი ბრწყინვალე სტილით. შემორჩენილია აგრეთვე ი-ს 9 წერილი (თუმცა საეჭვოა, რომ ყველა მას ეკუთვნოდეს). ძირითადი პრინციპები, რ-ებითაც ი. ხელმძღვანელობდა პედ. პრაქტიკაში, განავითარა სპეც. ნაშრომში — „ტექნე", რ-საც ხშირად იმოწმებდნენ ძვ. ორატორები. ი-ს თხზულებები ძვირფასი წყაროა ძვ. წ. IV ს. საბერძნ. სოც-.პოლიტ. ისტორიისა და კულტურის შესასწავლად.

ისოსი (ბერძნ. Issos), ძველი ქალაქი კილიკიაში (მცირე აზია). აქ ძვ. წ. 333 შემოდგომაზე ალექსანდრე მაკედონელმა (30—40 ათ. მეომარი) დაამარცხა სპარს. მეფის დარიოს III-ის ჯარი (120—130 ათ.).

ისპაანი, ისფაჰანი, ქალაქი ცენტრ. ირანში, მდ. ზენდერუდის ნაპირზე. ისპაანის ოსტანის ადმ. ცენტრი. დაახლ. 800 ათ. მცხ. (1976). ქვეყნის მეორე (თეირანის შემდეგ) ეკონ. ცენტრი. საფეიქრო, კვების (ზეთსახდელი, შაქრის), ცემენტის, ფეხსაცმლისა და სხვ. მრეწველობა. უნტი. ი-ის რ-ნშია მეტალ. ქ-ნა (სიმძლავრე 500—600 ათ. ტ ფოლადი წელიწადში), რ-იც აშენდა სსრკ-ის დახმარებით.

ანტ. ავტორები (მ. შ. პტოლემე) ი-ს ასპადანის სახელწოდებით იხსენიებენ. VII ს-ში ი. არაბებმა მიიტაცეს. VIII—XIII სს-ში ახლო და შუა აღმოსავლეთის ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრია. 1387 დაიპყრო თემურლენგმა და მძიმე კონტრიბუცია დაადო. XVI ს. დასასრ. და XVII ს. დასაწყისში მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. 1597/98-იდან სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. აბას I-ის დროს ქალაქი ხელახლა დაიგეგმა, აშენდა მონუმ. შენობები. XVII ს. შუა წლებში ი-ის მოსახლეობამ 600 ათასს მიაღწია. 1722 დაიპყრეს ავღანელებმა. XVIII ს. ბოლოს, ირანის დედაქალაქის თეირანში გადატანის შემდეგ, ი-მა დაკარგა წინანდელი მნიშვნელობა.

ხუროთმოძღვრული ძეგლები თავმოყრილია ძვ. ქალაქში, მ. შ. საკრებულო მეჩეთი (IX—XX სს.), ჩეჰელ-დოხთარანის (1107) და სხვა მინარეთები, იმამზადე ჯაფარის (XIV ს.), ჰარუნე-ვალაის (1512, ხუროთმოძღვარი ჰუსეინი, რესტავრირებულია 1656) მავზოლეუმები და სხვ. სეფიანთა დროს ი-ის ცენტრი გახდა ზაიდანე-შაჰის სწორკუთხა მოედანი, საიაც იდგა შაჰის (1612—30, არქიტ. აბულ ჭაზემი, გადაკეთებულია XVIII—XX სს.), შეიხ ლოთფოლას (1603—18) მეჩეთები და ალი ყაფუს სასახლე (XV ს., გაფართოებულია XVII ს.). მოედნის სამხრ.-დას-ით ჭედრესე მადარე-შაჰის კომპლექსი.

ისპაანის სამინიატიურო სკოლა, ირანული მინიატიურის ერთ-ერთი მთავარი სკოლა; ჩამოყალიბდა XVI—XVII სს. მიჯნაზე ქ. ისპაანში, შაჰ-აბას I-ის კარზე. ი. ს. ს-ში წიგნის ილუსტრაციის პარალელურად გავრცელდა პორტრეტული და ჟანრული მინიატიურები, რ-ებსაც ცალკეულ ფურცლებზე ხატავდნენ და შემდეგ ალბომებად აერთიანებდნენ. ი. ს. ს-ის სტილის ჩამოყალიბება დაკავშირებულია მისი დიდი წარმომადგენლის რეზა აბასის შემოქმედებასთან. 1670-იან წლებში ევრ. ფერწერის გავლენით წარმოიშვა მიმართულება, რ-ის წარმომადგენლებიც (მოჰამედ ზამანი, ალი-ყული-ბეგი, ქართველი ჯაბადარი და სხვ.) თავიანთ ნაწარმოებებში (ხშირად ქრისტ. მითოლ. თემაზე) მიმართავდნენ ფორმების ჩრდილ-ნათელით მოდელირებას და პერსპექტივას. შემდეგში ეს „ევროპიზებული" მიმართულება ი. ს. ს-ში წამყვანი გახდა.

ისპანახი (Spinacia), ორსახლიანი, ერთან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარის გვარი ნაცარქათამასებრთა ოჯახისა. შუა აზიაში, ირანსა და კავკასიაში ცნობილია 3 სახეობა. ყველაზე გავრცელებულია ბოსტნის ი. — Spinacia oleraceae. ი-ის ღერო 25—50 *სმ* აღწევს, აქვს სამკუთხა-შუბისებური ან კვერცხისებრ წაგრძელებული სადა ან გოფრირებული ფოთოლი. კარგად იტანს სიცივეს (უძლებს 8—10°C ყინვას), სწრაფად იზრდება. მაღალ ტემპ-რაზე იწყებს აზოგებას. მოსავალს იღებენ 5—6 როზეტის განვითარებიდან მცენარის აყვავებამდე. ი-ის სამშობლოა ირანი, კულტ. მცენარედ აშენებენ ზომიერი ჰავის ქვეყნებში. სსრკ-ში იზრდება ევრ. ნაწილში, კავკასიაში, შუა აზიასა და სხვ. იყენებენ კულინარიაში. საქართველოში ი-ს იყენებენ აგრეთვე შემამჭიდროვებელ კულტურად ბოსტნის თესლბრუნვაში. თესენ შემოდგომასა (სექტ.) და ადრე გაზაფხულზე. მოსავლიანობა 100—150 *ც/ჰა*. გავრცელებული ჯიშებია როსტოვული, ვიროფლე, გორდი და ვიქტორია. *ე. კაპანაძე.*

ისპარტა (Isparta), ქალაქი სამხრ.-დას. თურქეთში. ისპარტის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 63 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის (მარცვლეული, ზეთოვანი კულტურები, ყურძენი) სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო მრეწველობა. ვარდის ზეთის წარმოება. მეხალიჩეობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. ი-ის რ-ნში იღებენ გოგირდს.

ისრაელი, ისრაელის სახელმწიფო, სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. მდებარეობს დას. აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე. ფართობი გაეროს 1947 დადგენილ საზღვრებში — 14,1 ათ. *კმ²*, ისრაელ-არაბ. ქვეყნების ომის (1948—49) პერიოდში მიტაცებული ტერიტორიით—20,7 ათ. *კმ²*-ზე მეტი. მოსახლ. 3,73 მლნ. კაცი (1978, შეფასება). მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრია ქ. თელ-ავივი. პარლამენტისა და მთავრობის ადგილსამყოფელია იერუსალიმის დას. ნაწილი, რ-იც ი-ის მთავრობამ გაეროს 1947 რეზოლუციის მიუხედავად 1950 ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. სახელმწ. ენა — ებრაული (ივრითი). ეროვნ. დღესასწაულია დამოუკიდებლობის დღე (1948). ჩვენი კალენდრის მიხედვით ეს დღესასწაული მოძრავია. 1980 აღინიშნა 21 აპრილს. ოფიც. *კალენდარი* — ძვ. ებრაული (ასტრალური), იყენებენ გრიგორიანულსაც. ფულის ერთეულია ისრაელის ლირა. ადმინისტრაციულად ი. იყოფა 6 რაიონად.

ი. რესპუბლიკაა. კონსტიტუცია, როგორც ერთიანი სამართლებრივი აქტი, არ არსებობს. მას ცვლის საკანონმდებლო აქტები. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ქნესეთს (ერთპალატიან პარლამენტს), რ-საც მოსახლ. ირჩევს 4 წლით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (ქნესეთი ირჩევს 5 წლით). აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. ი-ის ტერიტ. უმეტესი ნაწილი პლატოა (სიმაღლე 500—1000 *მ*, უმაღლესი — 1208 *მ*). დას-ით ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ვაკეა, აღმ-ით — ღრმა ტექტონ. ღრმული გჰორი და მისი გაგრძელება უადი-ელ-არაბა. მკვდარი ზღვის წყალი მდიდარია კალიუმის, ნატრიუმისა და ბრომის მარილებით, არის ფოსფორიტების, კვარცის ქვიშის, თიხის, მარმარილოს, სპილენძის, რკინის მადნის, ტორფის საბადოები. ნეგევის უდაბნოში ნავთობისა და აირის მცირე ბუდობებია.

ჰავა სუბტროპიკულია, ჩრდ-ით — შედარებით ნოტიო, სამხრ-ით და ღრმულებში — ნახევარუდაბნოსი და უდაბნოსი, ზაფხული ცხელი იცის (ივლ. და აგვ. საშ. ტემპ-რაა 24—28°C, გჰორში 36°C-მდე), ზამთარი — თბილი (იანვ. საშ. ტემპ-რაა 6—14°C, მკვდარი ზღვის სამხრ.-დას-ით 18°C-მდე). ნალექები მკვდარი ზღვის სანაპიროზე, გჰორის ღრმულსა და ნეგევის უდაბნოში 100—200 *მმ* წელიწადში, ზოგან 100 *მმ*-ზე ნაკლები, ჩრდ-ით, პლატოზე — 600—800 *მმ*, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ვაკეზე — 400—800 *მმ*.

ი-ის ტერიტ. ზედაპირული წყლებით ღარიბია. ჩრდ.-აღმ-ით, გჰორის ღრმულში მიედინება მდ. იორდანე. ბევრი მდინარე ზაფხულობით შრება. იყენებენ წყაროებს, ტბებს, ამტკნარებენ ზღვის წყალს. გავრცელებულია ყავისფერი, მთის რუხ-ყავისფერი, რუხი, სამხრ-ით—უდაბნოს რუხ-მურა ნიადაგები. მცენარეულ საფარში ჭარბობს მაკვისი, გარიგა, სამხრ-ით ნახევარუდაბნოები და უდაბნოებია. ტუტუმწოვრებიდან ბინადრობს ზოლებიანი აფთარი, ტურა, დამანი, მლრღნელები. არის ფრინველთა უდაბნო-სტეპის სახეობები. ბევრია ქვეწარმავალი.

მოსახლეობა. მოსახლ. უმრავლესობა (90%-მდე) ებრაელები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე არაბები (დაახლ. 10%) და მცირე რაოდენობით სომხები. მოსახლ. ნახევარზე მეტი ევრ., აზიის, აფრ. და ამერ. ქვეყნების იმიგრანტია. ებრაელთა ნაწილმა არ იცის ივრითი, მათი სალაპარაკო ენაა იდიში, სპანიოლი (ჰგავს ესპანურს) ან არაბული, ინგლისური და სხვ. ებრაელთა რელიგია *იუდაიზმია*, არაბები მუსლიმანი-სუნიტები არიან, ნაწილი — დრუზები და ქრისტიანები, სომხები — ქრისტიანები.

1948—78 ი-ის მოსახლ. რიცხვი გაიზარდა უმთავრესად ებრაელთა იმიგრაციის ხარჯზე. მოსახლ. სიმჭიდროვე თელ-ავივის რ-ნში 5 ათ. კაცზე მეტია 1 *კმ²*-ზე, ნეგევის უდაბნოში — 14,7 კაცი 1 *კმ²*-ზე. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დიდი ნაწილი ქირით მუშაობს. მოსახლ. 80%-ზე მეტი ქ-ებსა და დაბებში ცხოვრობს. უდიდესი ქ-ებია თელ-ავივი (358 ათ. მცხ., 1974), იერუსალიმის დას. ნაწილი (356 ათ. მცხ., 1975), ხაიფა, რამათ-განი.

ისტორიული ნარკვევი. ი-ის სახელმწიფო შეიქმნა 1948 წ. 14 მაისს გაეროს გენ. ასამბლეის 1947 წ. 29 ნოემბ. გადაწყვეტილების საფუძველზე დიდი ბრიტ. ყოფილი სამანდატო ქვეყნის პალესტინის ტერიტორიაზე. ამ გადაწყვეტილებით პალესტინის ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი—არაბული და ებრაული სახელმწიფო უნდა შექმნილიყო, რ-ებსაც ექნებოდა დემოკრ. კონსტიტუციები მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნ. უმცირესობათა უფლებების უზრუნველსაყოფად. ქ. იერუსალიმი გაეროს გამგებლობაში მყოფი სპეც. საერთაშ. რეჟიმის მქონე ადმ. ერთეულად გამოიყო. 1948 მაისში დროებითი მთავრობის შემადგენლობაში მხოლოდ სიონისტური პარტიების წარმომადგენლები შეიდნენ. „სიონიზმის დოქტრინა" ი-ის სახელმწიფოს ოფიც. იდეოლოგიად და პოლიტიკად გამოცხადდა. აშშ-ის, დიდი ბრიტ. და საერთაშ. სიონისტური წრეების პოლიტიკის შედეგად დაიწყო ისრაელის ომი არაბულ ქვეყნებთან (იხ. *პალესტინის ომი 1948 — 49*). 1949 ომის დასასრულს ი-მა ხელი მოაწერა დროებით შეთანხმებებს ეგვიპტესთან (24 თებ.), ლიბანთან (23 მარტს), იორდანიასთან (3 აპრ.) და

ისოკრატე. ანტიკური მარმარილო. კაპიტოლიუმების მუზეუმები. რომი.

ისპაანის სამინიატიურო სკოლა. რეზა-აბასი. „მწყემსი". 1634. მ. სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკა. ლენინგრადი.

ისპანახი; მამრობითი (1) და მდედრობითი (2) მცენარის აყვავებული ზედა ნაწილი; 3. ფესვთანური ფოთლების როზეტი; 4. მამრობითი ყვავილი; 5. მდედრის ყვავილები ფოთლის უბეში.



..... 1949 და 1950 წწ. შეთანხმებებით დადგენილი საზავო სადემარკაციო ხაზი

1 არაბთა სახელმწიფოს ტერიტორია

შენიშვნა ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები ნაჩვენებია გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წ. 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად

სირიასთან (20 ივლ.) დაზავების შესახებ. ი-ის მმართველი წრეების მიზეზით ეს შეთანხმებები საზავო ხელშეკრულებებით არ შეცვლილა. 1949 დასაწყისში საომარი მოქმედების პირობებში ჩატარდა პარლამენტის პირველი არჩევნები. გაიმარჯვა სიონისტურმა პარტიამ მაფაიმ. ახ. მთავრობამ დაარღვია გაეროს გადაწყვეტილება და უარი თქვა დემოკრ. კონსტ. მიღებაზე, იგი დაადგა აღვირახსნილი შოვინიზმისა და ექსპანსიონიზმის პოლიტიკის გზას. განსაკუთრებით განმტკიცდა ი-ის კავშირი აშშ-თან.

50-იანი წწ. დასაწყისში ი-მა მიიღო კანონი, რ-იც ითვალისწინებდა დიდ პრივილეგიებს უცხ. კაპიტალისათვის. ი-ის მთავრობა დაუახლოვდა გფრ-ის მილიტარისტულ წრეებსაც. 1960 შეთანხმებით გფრ-მ დაიწყო ი-თვის იარაღის მიწოდება და სესხის (1967 წლისათვის დაახლ. 700 მლნ. დოლარი) მიცემა. აშშ-ის, დიდი ბრიტ. და გფრ-ის მმართველი წრეები ხელს უწყობდნენ ი-ის მილიტარიზაციას.

50-იან წლებში ი-მა უფრო აქტიურად დაიწყო მზადება არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიისათვის. 1953—55 ი-მა მოაწყო შეიარაღებული სასაზღვრო კონფლიქტები არაბ. ქვეყნებთან კიბიის (1953 ოქტ.), ღაზის (1955 თებ.), ტიბერიადის ტბის (1955 დეკ.) რ-ნებში. ი-ის მთავრობის ანტისაბჭ. პოლიტიკისა და სიონისტების ტერორ. აქციების გამო 1953 თებ-ში საბჭ. მთავრობამ გაწყვიტა დიპლ. ურთიერთობა ი-თან (აღადგინა 1953 ივლისში). 1956 ოქტ-ში ი-მა დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად გააჩაღა აგრესია ეგვ. წინააღმდეგ (იხ. *ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ 1956*). 1957 მაისში ი. შეუერთდა *„ეიზენჰაუერის დოქტრინას“*. ი-ის მმართველი წრეები აქტიურად ეხმარებოდნენ აშშ-სა და ინგლისს 1958 ლიბანსა და იორდანიაში მათ მიერ მოწყობილი ინტერვენციის დროს.

1967 წ. 2 ივნ. ი-ის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ უკიდურესად რეაქციული და ექსტრემისტული ძალები. მათ შექმნეს ე. წ. ეროვნ. ერთიანობის მთავრობა, რ-მაც არაბ. ქვეყნებთან ფართო მასშტაბის ომის გაჩაღების კურსი აიღო. ეს ომი მიზნად ისახავდა „დიდი ისრაელის“ შექმნასა და არაბ. ქვეყნებში პროგრ. რეჟიმის დამხობას. 1967 წ. 5 ივნ. იმპერიალ. და საერთაშ. სიონისტური ძალების მხარდაჭერით ი-მა ახ. აგრესია დაიწყო არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ (იხ. *ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ 1967*).

1967-იდან ი-ის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მკაცრი ტერორის რეჟიმი დამყარდა. ი-ის მთავრობამ მიიღო ზომები არაბ. მოსახლეობის გასასახლებლად, მათი მიწების ებრაელთათვის გადასაცემად, გასამხედროებულ დასახლებათა შესაქმნელად და ა. შ. ლტოლვილ პალესტინელ არაბთა რიცხვმა 70-იანი წლების დასაწყისში 1,7 მლნ. კაცს მიაღწია. გაეროს კომისიამ ადამიანთა უფლებების შესახებ საჯაროდ დაგმო ი-ის მოქმედება და განაცხადა, რომ ამ ტერიტორიების ანექსია უკანონო იყო (1971 წ. 23 დეკ. და 1972 წ. 24 მარტის რეზოლუციები).

პოლიტ. რეაქციის ვითარებაში მკვეთრად გაიზარდა მხედრიონისა და ექსტრემისტების როლი ი-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში. კლერ. წრეები დიდ ზეგავლენას ახდენენ ი-ის ცხოვრების ყველა მხარეზე, გაძლიერდა რეპრესიები დემოკრ., პროგრ. ძალების წინააღმდეგ.

1968 მემარჯვენე „სოციალისტების“ სიონისტური პარტიები და ბურჟ. სიონისტური რაფის პარტია ე. წ. ი-ის მუშათა პარტიაში (მაი) გაერთიანდა. 1969 ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ექსტრემისტულ-რეაქციული მთავრობა (უმრავლესობას მაის წევრები შეადგენდნენ). ახ. მთავრობა (განსაკუთრებით მისი მილიტარისტული ფრთა, მემარჯვენე ელემენტები და კლერიკალები) მოითხოვდა ი-ის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიასა და იმპერიალიზმთან ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, ი-ის თეოკრ. სახელმწიფოდ გადაქცევას. ი-ის მმართველი წრეების პოლიტიკა რასისტულ ხასიათს იღებდა.

1970 მარტში ი-ის მთავრობამ მიიღო არსებითად რასისტული კანონი—„ვინ შეიძლება ჩაითვალოს ებრაელად“. 1972 წ. 16 მარტს ქნესეთმა მიიღო რეზოლუცია „ისრაელის ქვეყანაზე ებრაელი ხალხის უდავო ისტორიულ უფლებათა შესახებ“, რ-იც გამოხატავდა სიონისტების ექსპანსიონისტურ მიზნებს—შეექმნათ „დიდი ისრაელი“. ი-ის მთავრობა ფართოდ იყენებდა ტერორ. მეთოდებს დემოკრ. ძალების წინააღმდეგ. საერთაშ. სიონიზმთან კავშირის ყოველმხრივი განმტკიცება მთავრობამ თავის ოფიც. კურსად გამოაცხადა (1969).

1967-იდან ი-ში ჩატარებული საერთაშ. სიონისტური კონგრესები იზიარებდა ი-ის ექსპანსიონისტურ გეგმებს. გ. *მეირის* მთავრობა (1969—74) უგულებელყოფდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1967 წ. 22 ნოემბ. რეზოლუციას და უარს აცხადებდა 1967 დაპყრობილი არაბ. ტერიტორიებიდან ი-ის ჯარების გამოყვანაზე, იგი სისტემატურად შლიდა არაბ. ქვეყნებისა და ი-ის კონფლიქტის მოსაგვარებლად გაეროს სპეც. წარმომადგენლის გ. იარინგის მისიის საქმიანობას. მან უარყო ეგვ. მშვიდობიანი ინიციატივა (1971) სუეცის არხის აღმ. ნაპირიდან ი-ის ჯარების ნაწილობრივი გაყვანის შესახებ. ი-ის მთავრობამ უარი განაცხადა შეესრულებინა გაეროს გენ. ასამბლეის 1970 წ. 5 ნოემბ. და 1971 წ. 13 დეკ. რეზოლუციები 1967 დაპყრობილი არაბ. ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების შესახებ.

ი-ის მმართველი წრეები დაჟინებით ცდილობდნენ ი-ის ნატოში შეყვანას. ი. ყოველწლიურად აშშ-გან იღებს 2,5 მლრდ. დოლარის ოდენობით სამხ.-ეკონ. დახმარებას და 0,5 მლრდ. დოლარს სიონისტური ორგანიზაციებისაგან.

1973 ოქტ. დაიწყო ახ. ომი ი-სა და არაბ. ქვეყნებს შორის (სირია, ეგვიპტე). იგი ი-ის ექსპანსიონისტური ზრახვების მარცხით დამთავრდა. ი-ის მმართველმა წრეებმა წამოაყენეს კონცეფცია ე. წ. „დაცვითი საზღვრების“ შესახებ. იგი გულისხმობს ი-ის მიერ ოკუპირებული მდ. იორდანეს დას. ნაპირის მნიშვნელოვანი ნაწილის, გოლანის სიმაღლეებისა და სინის ზოგიერთი რ-ნის მიტაცებას. ამ მიწებზე 1977 გაზაფხულისათვის, ე. წ. ალონის გეგმის თანახმად, შექმნილი იყო 76 ებრ. გასამხედროებული დასახლება. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა მხარი დაუჭირა „დაცვითი საზღვრების“ იდეას. ალონის გეგმა უარყოფს 3 მლნ. არაბი მოსახლეობის კანონიერ უფლებას შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო პალესტინაში.

1977 მარტში ი-ში დაიწყო მთავრობის კრიზისი. პრემიერ-მინისტრი რაბინი გადადგა. ახ. არჩევნებში გაიმარჯვა უკიდურესი მემარჯვენე პარტიების ბლოკმა „ლიკუდმა“. მისმა ლიდერმა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა 1979 წ. 26 მარტს აშშ-ის ხელშეწყობით და უშუალო მონაწილეობით ვაშინგტონში, ხელი მოაწერა ეგვ. პრეზიდენტ სადათთან ერთად სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას, რ-იც არ ცნობს პალესტინელი ხალხის კანონიერ უფლებას შექმნას თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო ი-ის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და მიზნად ისახავს არაბ. სახელმწიფოების ერთიანი ანტიისრაელური ფრონტის გათიშვას, აშშ-ის პოზიციების გაძლიერებას არაბ. აღმოსავლეთში.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი. ი. აგრ.-ინდუსტრ. ქვეყანაა. დიდი ყურადღება ექცევა სამხ. წარმოებასთან დაკავშირებული დარგების განვითარებას. გაზრდილი სამხ. ხარჯები იფარება ახ. გადასახადების შემოღების, ფასების ზრდისა და უცხოეთიდან შემოსული ვალუტის ხარჯზე. გადასახადების ჯამით მოსახლ. 1 სულზე ი. I ადგილზეა მსოფლიოში. ეკონომიკაში გაბატონებულია უცხოეთის (უმთავრესად ამერ., აგრეთვე ინგლ. და დას. გერმ.) კერძო კაპიტალი. სულ უფრო მცირდება სახელმწ. კაპიტალ. სექტორის ხვ. წილი.

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. დამუშავებული ფართობის დიდი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს და სიონისტურ ტრესტებს, რ-ებიც იჯარით აძლევენ მიწას სას.-სამ. კოოპერატიულებსა და ცალკეულ მდიდარ კოლონისტებს. მიწათსარგებლობის მთავარი ფორმაა ჯგუფური იჯარა. გამოყენებული 435 ათ. ჰა სას.-სამ. მიწიდან დაახლ. 200 ათ. ჰა სარწყავია. სოფ. მეურნ. პროდუქციის მთლიანი ღირებულების დაახლ. 30%-ს იძლევა ციტრუსები (1484 ათ. ტ, მ. შ. 1003 ათ. ტ ფორთოხალი, 1977) და სხვა ხილი. ციტრუსების პლანტაციები, ბაღები, ვენახები უმთავრესად სანაპირო ვაკეზეა. მარცვლეული კულტურების, უმთავრესად ხორბლის (230 ათ. ტ, 1977) ნათესები სანაპირო ვაკის ჩრდ. და სამხრ.-დას. ნაწილშია. ტექ. კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა (65 ათ. ტ, 1977), შაქრის ჭარხალი, არაქისი, სელი, თამბაქო. მოჰყავთ აგრეთვე ბოსტნეული და კარტოფილი. სანაპირო ვაკეზე მისდევენ მეფრინველეობასა და მსხვ. რქ. საქონლის მოშენებას, ნეგევის უდაბნოს ჩრდ. ნაწილში — საძოვრულ მეცხოველეობას (ცხვარი, თხა), ქვეყნის სამხრ. და სამხრ.-აღმ. ნაწილში — ნახევრად მომთაბარე და მომთაბარე მესაქონლეობას (ცხვარი, თხა, აქლემი).

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა. მრეწველობისათვის დამახასიათებელია წვრილი და უწვრილესი საწარმოების სიჭარბე. ი-ის აგრესიის შემდეგ განსაკუთრებით ჩქარი ტემპით განვითარდა ელექტროტექ., ქიმ., მანქანათსაშ. საავიაციო, სამკერვალო (არმიის საჭიროებისათვის), რეზინის წარმოება. მრეწველობასა და ენერგეტიკაში უმთავრესად იყენებენ შემოტანილ ნედლეულს. 1978 გამოიმუშავეს 11,5 მლრდ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია. სამთომოპოვებითი მრეწვ. სუსტადაა განვითარებული. იღებენ კალიუმის მარილს, სუფრის მარილს, ბრომს, კვარცის ქვიშასა და თიხას, ფოსფორიტებს, ნავთობს (25 ათ. ტ, 1978), ბუნებრივ აირს, ტორფს.

საფეიქრო მრეწვ. მთავარი ცენტრებია თელ-ავივი და ხაიფა, კვების მრეწველობისა — თელ-ავივი. ალმასს ამუშავებენ უმთავრესად თელ-ავივსა და ნათანიაში. ქიმ. მრეწვ. საწარმოებია ხაიფაში, ხადერაში, თელ-ავივში, ნავთობგადასამუშ. ქ-ნები (დაახლ. 7 მლნ. ტ ნავთობი, 1977) — ხაიფასა და აშდოდში. მანქანათმშ., ლითონდამუშავება, საშენ მასალათა წარმოება თავმოყრილია თელ-ავივსა და მის გარეუბნებში.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი. რკინიგზის სიგრძეა 994 *კმ*, საავტ. გზებისა—10,8 ათ. *კმ* (1977). 1976 ავტოპარკში იყო 432,5 ათ. ავტომობილი, მ. შ. 292,4 ათ. მსუბუქი. გაყვანილია ნავთობსადენები. 1976 ი-ის საავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 4,4 მლნ. დედვეიტი ტ. მთავარი ნავსადგურებია ხაიფა, აშდოდი, ელათი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროდრომია ლოდში (თელ-ავივის მახლობლად).

ს ა გ ა რ ე ო ვ ა ჭ რ ო ბ ა. 1977 ი-ის ექსპორტმა შეადგინა 2964 მლნ. დოლ., იმპორტმა — 4761 მლნ. გააქვთ დამუშავებული ალმასი, მანქანა-მოწყობილობანი, საფეიქრო ნაწარმი, ხილი (უმთავრესად ციტრუსები) და სხვ. შეაქვთ ქიმ. საქონელი, მანქანა-მოწყობილობანი, დაუმუშავებელი ალმასი, შავი ლითონების ნაგლინი, ნავთობი, მარცვლეული და სხვ. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ, გფრ, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდი, იტალია, იაპონია.

განათლება. 1949 გამოვიდა კანონი სავალდებულო დაწყ. განათლების შესახებ სქესის, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, მაგრამ, ფაქტობრივად, არაბი მოსახლეობა დისკრიმინაციას განიცდის. 3—5 წლის ასაკის ბავშვებისათვის არის სახელმწ. და კერძო საბავშვო ბაღები. 1975 იყო 122 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი. დაწყ. სკოლა (1969-იდან) 6-წლიანია. ყველა სკოლაში სავალდებულოა ბიბლიისა და თორის შესწავლა. არაბ. სკოლებში III კლასიდან ისწავლება ივრითი. საშ. 7-წლიანი ორსაფეხურიანი სკოლა ფასიანია. 1975 დაწყ. სკოლებში სწავლობდა 480 ათ-მდე მოსწავლე, საშ. სკოლაში — 140 ათ-ზე მეტი მოსწავლე. დაწყ. სკოლის ბაზაზე მუშაობს 4-წლიანი საშ. პროფტექ. სკოლები, საშ. სკოლის ბაზაზე — სას.-სამ. სკოლები. 1975 პროფმომზადების ქსელში იყო 13 ათ. მოსწავლე. პედ. განათლებას იღებენ პედ. კოლეჯებსა და უნ-ტებში.

ი-ში 10 უმაღლესი სასწავლებელია. 1975 სწავლობდა 45 ათ-ზე მეტი სტუდენტი. სწავლება ფასიანია. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნ. დაწესებულებებს აფინანსებს და კონტროლს უწევს ებრ. საგენტო და სიონისტური ორგანიზაციები (ძირითადად აშშ-ის). ი-ის მეცნიერთა უმეტესი ნაწილი იმიგრანტია.

დიდი ბ-კებია: ებრ. ეროვნ., უნ-ტის ბ-კა იერუსალიმში (1884; 2 მლნ-ზე მეტი ტ.) და სხვ. მუზეუმებია: ი-ის ეროვნ. მუზეუმი იერუსალიმში, ჰაარეც-მუზეუმი თელ-ავივში.

ი-ში 1978 გამოდიოდა 400-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთი. საინფორმაციო საგენტოა „ითიმი" („ითონუთ ისრაელით მეუხედეთი", დაარსდა 1950). რადიომაუწყებლობას ახორციელებს მთავრობის რადიოსადგური „შიდურეი ისრაელი" (დაარსდა 1968). გადაცემები 11 ენაზეა. ტელეცენტრი მუშაობს 1968-იდან. მთავრობისა და სიონისტური პარტიების გამგებლობაში მყოფი პროპაგანდის ყველა ორგანოს საქმიანობა ატარებს აშკარად ანტისაბჭოთა ხასიათს.

ლიტერატურა. ი-ის ლიტ-რა წარმოიშვა და ვითარდება რთულ სოც. და პოლიტ. ვითარებაში. პალესტინაში ჯერ კიდევ ი-ის სახელმწიფოს შექმნამდე დასახლ. უფროსი თაობის მწერალთა უმრავლესობა ძირითადად კვლავ ემიგრაციის ქვეყნების თემატიკის ტრანსფორმაციით იფარგლებოდა. მაგ., შ. აგნონი, ლ. გოლდბერგი (1911—70), ხ. ჰაზაზი (დ. 1897), ა.შლენსკი (1900—1977) და სხვ. მათი გავლენა შემდგომი თაობის მწერალთა შემოქმედებაზე უმთავრესად ენასა და სტილში გამოვლინდა. მოთხრობებსა და პიესებში რეალისტურად აქვთ ასახული თანამედროვე საზ-ბის ცხოვრება ხ. ბარტოვს (დ. 1926), ა. მეგედს (დ. 1920) და სხვ. რეალისტური და თვითმყოფია ნ. ალტერმანისა (1910—70) და პოპულარული რომანისტის მ. შამირის (დ. 1921) შემოქმედებაც, მაგრამ მათ თხზულებებში უკანასკნელ წლებში ნაციონალისტურმა მოტივმა იმძლავრა. ი-ის ლიტ-რაში აისახა მშვიდობისათვის ბრძოლისა და ხალხთა მეგობრობის იდეები (მ. ავი-შაული, დ. 1898; ა. *პენი*). ი-ში იმიგრაციის, ებრაელთა და არაბთა ურთიერთობის საკითხებს ეხება კომუნისტი მწერლის ცვია ეთანის რომანები („ისინი კიდევ ცოცხლობენ", 1967; „რა არის ხვალინდელი დღე", 1972). შოვინისტურ რეაქციას, ანტისაბჭ., ოფიც. ექსტრემისტულ პოლიტიკას უპირისპირდება ა. კენანის, დ. ბენ-ამოცის, ი. ლევის შემოქმედება. ი-ის ლიტ. ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვეფხისტყაოსნის თარგმნა ბ. *გაპონოვის* მიერ (გამოქვეყნდა 1969, პრემიები შ. ჩერნიხოვსკისა, 1969 და პრეზიდენტისა, 1971).

ი-ის ლიტ-რა ძირითადად თანამედროვე ებრ. ენაზე იქმნება.

ხელოვნება. მშენებლობა ი-ში სახელმწ. ინტერესებს ექვემდებარება. გაშენდა ახ. ქალაქები, საცხოვრ. სახლები. საზ. შენობათაგან აღსანიშნავია: ფ. მანის საკონცერტო დარბაზი (1957), ბეილინსონის ჰოსპიტალი (1950—58), ჰაარეც-მუზეუმი (1958—60-იანი წწ.) — ყველა თელ-ავივში, სასტუმროს კომპლექსი ქ. ბათ-იამში (1968—69) და სხვ. ი-ის არქიტ. ვითარდება თანამედროვე საერთაშ. არქიტ. მიმდინარეობათა შესაბამისად. ი-ში ჩასულმა ებრაელებმა სახვით ხელოვნებაში შეიტანეს სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების ტრადიციები. რეალისტურ ტენდენციებს მეთაურობს ხელოვნ. და მხატვრული ხელოსნობის სკოლა „ბეცალელი" (დაარსა მხატვარმა ბ. შაცმა იერუსალიმში 1906). ჭარბობს თანამედროვე მოდერნისტული მიმდინარეობანი (მხატვრები ც. მეიროვიჩი, ბ. იანკო და სხვ.).

ი-ის მუს. კულტურა ჩამოყალიბდა პალესტინელი ებრაელებისა და არაბების ეროვნ. მუს. კულტურისა და ი-ში ახალმოსახლე ებრაელების მიერ შემოტანილი მუს. ტრადიციების საფუძველზე. 1950-იანი წლებიდან ვითარდება საკომპოზიციო სკოლა, საშემსრულებლო ხელოვნება. 1948 შეიქმნა ი-ის ფილარმონია. მუს. თეატრი „ინბალი" აღმ. ებრაელების მუს. ფოლკლორის პოპულარიზაციას ეწევა. არსებობს მუს. საზ-ბები, საგუნდო გაერთიანებები და სხვ. ნაყოფიერ საგანმან. მოღვაწეობას ეწევა საზ-ბა „მუსიკაოური ახალგაზრდობა". მუს. ორგანიზაციებია: ეროვნ. ოპერა, კონსერვატორია თელ-ავივში, მუსიკის აკადემია იერუსალიმში. თელ-ავივში 3 წელიწადში ერთხელ ეწყობა არფაზე დამკვრელთა საერთაშ. კონკურსი. არსებობს ი-ის კომპოზიტორთა ლიგა და ფონდი.

პირველი პროფესიული თეატრი „ოპელი" („კარავი") 1926 დაარსა თელ-ავივში თეატრ „ჰაბიმას" მსახიობმა მ. ჰალევიმ.

1958-იდან თელ-ავივში მუშაობს ი-ის ეროვნ. თეატრი. დასში იწვევენ გასტროლიორებსაც (მსახიობებს, რეჟისორებს). პოპულარულია კამერული თეატრი (დაარსდა 1944), რ-ის რეპერტუარშია პროგრ. ისრაელ და უცხ. დრამატურგთა პიესები. 1963 ქ. ხაიფაში დაარსდა საქალაქო თეატრი. სახსრების უქონლობის გამო დაიშალა წამყვანი თეატრ. კოლექტივები: „ოპელი", „მატატე", რ-ებიც ცდილობდნენ შეექმნათ ეროვნ. სამსახიობო სკოლა. 60-იან წლებში აღმოცენებულ მცირე კომერც. დასებში ჭარბობს ავანგარდისტული პიესები და მუს. კომედიები. 1963-იდან არსებობს საბალეტო დასი „ბათ-შევა". 1968 ხაიფაში შეიქმნა არაბ. დრამ. კოლექტივი „ალ-მასრაჰ ალ-ნაჰედი".

50-იან წლებში ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროსთან შეიქმნა კინოცენტრი, საზ-ბა „სენფილდო ისრაელი". მუშაობს 10-ზე მეტი კინოკომპანია, რ-ებიც ყოველწლიურად უშვებენ 10—12 მხატვრულ და 60—100 დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფილმს. ფილმების უმეტესობას საზ-



ისრაელი. თელ-ავივი. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი.

ისრაელის სახელმწიფო გერბი.

ისრაელი

მეცხოველეობა (1977, ათ. სული)	
მსხვილი რქოსანი საქონელი	335
ცხვარი	228
თხა	142
შინაური ფრინველი	8,5 მლნ. ფრთა.
წარმოება (1978, ათ. ტ.)	
ცემენტი	1985
გოგირდმჟავა	174
კაუსტიკური სოდა	24
ბამბის ნართი	23
შალის ნართი	9

რ. ისრაელიანი.

ი ო ზ ე ფ ი ს რ ა ე ლ ი ა ნ ი. „სუფლიანი ფიქრები". 1896. ბოიმანს ვან ბეენინგენის მუზეუმი. როტერდამი.

ლვარგარეთის კინოკომპანიებთან ერთად ილებენ. ი-ში 300-ზე მეტი კინოთეატრია.

ლიტ.: Иванов К. П., Шейнис З. С., Государство Израиль, его положение и политика, 2 изд., М., 1959; Никитина Г. С., Государство Израиль, М., 1968; Naveh Ph., Die neue hebräische Literatur, Bern— München., 1962.

ისრაელიანი რაფაელ სერგეის (სარქისის) ძე [4 (17). IX. 1908, თბილისი,— 8. IX. 1973, ერევანი], საბჭ. არქიტექტორი, სსრკ სახ. არქიტექტორი (1970). სწავლობდა ლენინგრ. სამხატვრო აკადემიაში (1929—34). 1936-იდან მუშაობდა ერევანში, 1940-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა პოლიტექ. ინ-ტში. ნამუშევრები: ტრესტ „არარატის" ღვინის სარდაფები (1937—63, I რიგი გ. ქოჩართან და სხვ. ერთად), გამარჯვების ძეგლის პოსტამენტი (1949; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), მონუმენტი „ვაჰაგნი" (1965, მოქანდაკე ა. არუთინიანი) — ყველა ერევანში, მემორიალური კომპლექსი სარდარაპატთან ბრძოლის (1918) უკვდავსაყოფად ჰოქტემბერიანის რ-ში (1968) და სხვ.

ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ 1967, დაიწყო 5 ივნისს ისრაელის თავდასხმით ეგვიპტეზე, იორდანიასა და სირიაზე. ომი ინსპირირებული იყო იმპერიალ. ქვეყნებისა და საერთაშ. სიონიზმის მიერ. აშშ-ის იმპერიალ. წრეებს იმედი ჰქონდათ ისრაელის აგრესიით დაემხოთ პროგრ. რეჟიმი ეგვიპტესა და სირიაში და განემტკიცებინათ ნეოკოლონიალიზმის პოზიციები არაბ. სამყაროში. ისრაელის სიონისტური მმართველი წრეები მიისწრაფოდნენ შეექმნათ ნილოსიდან ევფრატამდე გადაჭიმული „დიდი ისრაელი".

ექვსი დღის ბრძოლების („ექვსდღიანი ომი") შედეგად ისრაელის ჯარებმა დაიკავეს სინის ნ.-კ. და სუეცის არხის აღმ. სანაპიროზე გადავიდნენ (არხში გემების მიმოსვლა შეწყდა). მათ დაიკავეს ღაზის რ-ნი (ეგვიპტე), მდ. იორდანეს დას. სანაპირო და იერუსალიმის აღმ. სექტორი (იორდანია), გოლანის სიმაღლეები (სირია). ოკუპირებული ტერიტ. ფართობი 70 ათ. *კმ*² აღწევდა, ხოლო მისი მოსახლეობა — 1 მლნ. მეტ კაცს.

ომის მსვლელობის დროს (1967 წ. 6, 7, 9 ივნ.) გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ და მოითხოვა ცეცხლისა და საომარ მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტა. საომარი მოქმედება შეწყდა უშიშროების საბჭოს მხოლოდ მეოთხე გადაწყვეტილების შემდეგ (1967 წ. 10 ივნ.), როდესაც სსრ კავშირმა და მთელმა რიგმა სხვა ქვეყნებმა გაწყვიტეს დიპლ. ურთიერთობა ისრაელთან და გააფრთხილეს, რომ სანქციებს მიიღებდნენ მის წინააღმდეგ. ისრაელის აგრესიის შედეგად ახლო აღმოსავლეთში აღმოცენდა მწვავე სამხ.-პოლიტ. კრიზისი, რ-იც შეიძლებოდა საერთაშ. კონფლიქტში გადაზრდილიყო.

საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ისრაელმა დაიწყო დაპყრობილი არაბ. ტერიტორიების ყოველმხრივი გამოყენება. გაეროს გადაწყვეტილების (1967 წ. 4 ივლისი) საწინააღმდეგოდ ისრაელის პარლამენტმა ივლისში მიიღო კანონი იერუსალიმის აღმ. სექტორის ისრაელის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. სინაზე, გოლანის სიმაღლეებსა და მდ. იორდანეს დას. სანაპიროზე დაიწყო სამხ. დასახლებათა მშენებლობა. ათასობით არაბი განდევნეს ოკუპირებული ტერიტორიიდან მდ. იორდანეს აღმ. სანაპიროზე.

ისრაელის მთავრობა საჯაროდ აცხადებდა, რომ განზრახული ჰქონდა შეეერთებინა დაკავებული არაბ. მიწები. 1967 წ. 22 ნოემბ. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტ. მოწესრიგების შესახებ. ეს რეზოლუცია მოითხოვდა ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული ტერიტორიებიდან და მის მიერ მეზობელი არაბ. ქვეყნების სუვერენიტეტის, ტერიტ. მთლიანობისა და პოლიტ. დამოუკიდებლობის ცნობას, აგრეთვე სუეცის არხის ზონაში ნაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფას და პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრას. ამ რეზოლუციის განსახორციელებლად და დაინტერესებულ ქვეყნებთან კონტაქტების დასამყარებლად ახლო აღმოსავლეთში გაგზავნეს გაეროს გენ. მდივნის სპეც. წარმომადგენელი გ. იარინგი. ეგვიპტე და იორდანია დათანხმდნენ შეესრულებინათ აღნიშნული რეზოლუცია, ისრაელის მთავრობამ კი ოფიციალურად განაცხადა, რომ არ გაიყვანდა ჯარებს დაკავებული ტერიტორიებიდან. ისრაელი მოითხოვდა პირდაპირ მოლაპარაკებას აგრესიის მსხვერპლ არაბულ ქვეყნებთან. ისრაელის მთავრობის შეურიგებელმა პოზიციამ 1973 ოქტ-ში ახლო აღმოსავლეთში ახ. ომი გამოიწვია. ამ ომში ეგვიპტემ და სირიამ გარკვეულ სამხ. წარმატებებს მიაღწიეს. *ა. მენთეშაშვილი.*

ისრაელის კომუნისტური პარტია (იკპ; ჰამიფლაგა ჰაკომუნისტით ჰაისრაელით), დაარსდა 1919 მარტში როგორც პალესტინის სოციალ. მუშათა პარტია. 1921 ეწოდა პალესტინის კომუნისტური პარტია (პკპ). 1924-იდან კომინტერნის წევრი გახდა. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1948) ეწოდა იკპ. პარტიის საქმიანობის ძირითადი მიმართულება განსაზღვრა იკპ-ის I-მა (1919 ოქტ.) და II (1920 ოქტ.) ყრილობებმა. პალესტინაზე ბრიტ. მანდატის დროს (1921—42) პარტია იატაკქვეშეთში მუშაობდა. პარტიის ბევრი წევრი დააპატიმრეს, დაახლ. 2 ათ. კომუნისტი, მ. შ. ხელმძღვანელი მოღვაწეები ბრიტ. ადმინისტრაციამ პალესტინიდან გაასახლა. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან იკპ თანამიმდევრულად იბრძოდა იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, აშშ-სა და სხვ. იმპერიალ. ქვეყნებზე ისრაელის პოლიტ. და ეკონ. დამოკიდებულების ლიკვიდაციისათვის და სხვ. იკპ იყო ერთადერთი პარტია ისრაელში, რ-იც წინ აღუდგა ინგლ.-საფრ.-ისრაელის აგრესიას ეგვიპტეში 1956, აგრეთვე აშშ-სა და საერთაშ. სიონიზმის მხარდაჭერით გაჩაღებულ ისრაელის მმართველი წრეების აგრესიას არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ 1967 პარტიის ამ ხაზმა დადასტურება და შემდგომი განვითარება პოვა იკპ-ის XVI (1969 იანვ.-თებ.) და XVII (1972 ივნ.) ყრილობებზე. იკპ-ის XVI ყრილობამ მოიწონა პარტიის პოზიცია ისრაელის აგრესიის საკითხში და გადაჭრით მოითხოვა სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში, უშიშროების საბჭოს 1967 წ. 22 ნოემბ. რეზოლუციის სრული განხორციელება. იკპ-ის XVII ყრილობამ წამოაყენა ანტიიმპერიალ. დემოკრ. ფრონტის შექმნის მოთხოვნა და მიიღო მისი პროგრამა. ყრილობის დოკუმენტებში სასტიკად არის გაკრიტიკებული სიონიზმის იდეოლოგია და პრაქტიკა.

1976 წ. 15—18 დეკ. ჩატარდა იკპ-ის XVIII ყრილობა. იკპ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ მუშათა და კომუნისტური პარტიების საერთაშ. თათბირების მუშაობაში (1957, 1960, 1969, მოსკოვი). პარტია აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე. უმაღლესი ორგანოა ყრილობა. ყრილობებს შორის პარტიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცკ-ის პოლიტბიურო და სამდივნო. იკპ ცკ-ის გენ. მდივანია მ. ვილნერი.

ისრაელის სამეფო, ძვ. ებრაელთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რ-იც დას. სემიტური მოდგმის ტომებს, მ. შ. საკუთრივ ისრაელს, იუდას, ბენიამინს, ზებულონს და სხვ. მოიცავდა. წარმოიშვა პალესტინაში (ქანაანში) დაახლ. ძვ. წ. XI ს. მიწურულს, როდესაც ისრაელთა ტომებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს ადგილ. ქანაანელები (ასევე დას.-სემიტური წარმოშობის ტომები). ბიბლ. ტრადიციით, ი. ს-ს პირველ მეფედ ითვლება საული (დაახლ. ძვ. წ. 1020-იდან). *დავითის* მეფობის (XI ს.) დროს ი. ს. ძვ. აღმოსავლეთის მნიშვნელოვან პოლიტ. ძალად იქცა. იერუსალიმის აღების შემდეგ დავითმა იგი გამოაცხადა ისრაელისა და იუდეის გაერთ. სამეფოს დედაქალაქად და იქ ღვთაება იაჰვეს კულტი გადაიტანა. ებრ. სასისტ. ტრადიცია მეფე სოლომონს (ძვ. წ. X ს.) მიაწერს ისრაელ-იუდეის ერთიანი სამეფოს აყვავებას, იერუსალიმის (ანუ „სოლომონის") ტაძრის აგებას, რეფორმების გატარებას; წინანდელ ეთნ. დაყოფის ნაცვლად სახელმწიფო დანაწილდა 12 პროვინციად, შემოღებულ იქნა გადასახადთა მტკიცე სისტემა. ქვეყანაში ეკონ. ჩაგვრის სიმძიმე ჩრდ. ნაწილზე—ისრაელზე მოდიოდა. ეს ჩრდილოეთის ტომთა უკმაყოფილებას იწვევდა სამეფო დინასტიის მიმართ, რ-იც იუდას ტომს ეკუთვნოდა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იფეთქა აჯანყებამ (დაახლ. ძვ. წ. 928), რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელ-იუდეის ერთიანი სახელმწიფოს გაყოფა ორ დამოუკიდებელ ნაწილად: *იუდეის სამეფოდ* (ცენტრი ქ. იერუსალიმი) და საკუთრივ ი. ს-დ (ცენტრი ქ. სიქემი, ახლანდ. ნაბლუსი). იერობოამ I-ის დროიდან (დაახლ. ძვ. წ. 928—907) ი. ს. დასუსტდა. ხანგრძლივმა ომებმა საგრძნობლად დაასუსტა ორივე სამეფო, საბოლოოდ მათ კავშირი შეკრეს, რ-იც თითქმის არ დარღვეულა ი. ს-ს დაცემამდე. მეფე ომრიმ (ძვ. წ. 882/876—871/869) დაარსა ახ. სატახტო ქალაქი *სამარია* და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, ხოლო იერობოამ II-მ (ძვ. წ. 786—746) გააფართოვა ი. ს-ს ტერიტ. ასურეთის მომძლავრებამ დააჩქარა ისრაელის დაცემა. ასურელებმა ჯერ მისი ჩრდ. რ-ნები დაიპყრეს, ხოლო სამხრ. ნაწილს მძიმე გადასახადი დააკისრეს. ასურეთის წინააღმდეგ აჯანყებული ი. ს. სარგონ II-მ სასტიკად დაარბია, ძვ. წ. 722 სამარია აიღო, ათასობით ებრაელი ტყვედ გარეკა და მათ ადგილას ასურეთის ქვეშევრდომნი (ბაბილონელები, არამელელები) ჩაასახლა. ი. ს. არ იყო მყარი პოლიტ. გაერთიანება. ქვეყნის სამხრეთში და ჩრდ-ში მცხოვრები ტომები ხშირად ერთმანეთს ექიშპებოდნენ პირველობისათვის. მართალია, ისრაელში დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედება (ჩრდ-ში) და მესაქონლეობა (სამხრ-ში), ხელოსნურ წარმოებასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, მაგრამ ქვეყნის ეკონ. და კულტ. მდგომარეობა ერთგვარად დამოკიდებული იყო ეგვიპტესა და ფინიკიაზე. მატერ. დოვლათის უშუალო მწარმოებელ ძალას წარმოადგენდნენ დამოკიდებულ მეთემეები „მიწის ხალხი" („ამ ჰაარეც"), მონათა რიცხვი დიდი არ იყო. სოც. უთანასწორობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. „წინასწარმეტყველნი", რ-ებიც მოსახლ. საშ. ფენებთან იყვნენ დაკავშირებული, ამხელდნენ მდიდრების მიერ ღარიბთა ექსპლუატაციას. ქვეყნის შიგნით მიმდინარე კლასობრივმა ბრძოლებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ი. ს-ს არსებობის ბოლო პერიოდში. სამარიის დაცემა ნიშნავდა ი. ს-ს სრულ განადგურებას. ამის შემდეგ ი. ს-ში დარჩენილი ადგილ. ებრ. და ქანაანური მცირეოდენი მოსახლ. შეერია გადმოსახლებულ კოლონისტებს. მათ შთამომავლებად თვლიდნენ თავს სამარიტელნი, რ-ებიც მოგვიანებით ცენტრ. პალესტინაში ბინადრობდნენ.

გ. გიორგაძე

ისრაელსები (Israëls), ჰოლანდიელი ფერმწერები. 1. ი ო ზ ე ფ ი (27. I. 1824 გრონინგენი, — 12. VIII. 1911, ჰაგა) სწავლობდა ამსტერდამსა და პარიზში 1871-იდან ცხოვრობდა ჰაგაში. იყო ჰაგის რეალისტური სკოლის მეთაური. მისი სურათები ეძღვნება უმთავრესად მეთევზეებისა და გლეხების ცხოვრებას და გამსჭვა

ლულია ადამიანისადმი დიდი სიყვარულით („მარტოხელა", 1876, ამსტერდამის სახელმწ. მუზეუმი; „კარტოფილის მჭამელები", 1903, კერძო კოლექცია, ამსტერდამი და სხვ.). 2. ი ს ა ა კ ი (3. II. 1865, ამსტერდამი,—7. X. 1934, ჰაგა), იოზეფ ისრაელსის შვილი. განიცადა ფრანგი იმპრესიონისტების გავლენა. ხატავდა უმთავრესად მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს (მსახურები, ჯარისკაცები, მეზღვაურები).

ისრითი, სოფელი ვანის რ-ნში (დიხაშხოს სოფსაბჭო), მდ. სულორის ხეობაში. ზ. დ. 170 *მ*, ვანიდან 5 *კმ*. დიხაშხოს კოლ-ბა (მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა). საშ. და რვაწლ. სკოლები, ბ-კა, საექიმო უბანი, კავშირგაბმ. განყ-ბა. კირქვების კარიერი.

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. ი-ში დგას შუა ფეოდ. ხანის ვაზნარის წმ. გიორგის ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესია (ფასადი მოჩუქურთმებულია). შემორჩენილია აგრეთვე ციხესიმაგრის ნანგრევები.

ისრმი, მკვახე ყურძენი. იხმარება სანელებლად.

ისროლისხევი, სოფელი სამხრ. ოსეთის �о ცხინვალის რ-ნში (ბიყარის სოფსაბჭო), მდ. მეჯუდის ზემოთში. ზ. დ. 1600 *მ*, ცხინვალიდან 48 *კმ*. ღრმის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ბიყარში (15 *კმ*).

ალ-ისტახრი აბუ ისჰაკ ალ-ფარისი (დაახლ. 850—934), არაბი გეოგრაფი, ირანის მკვიდრი (ფარსის ოლქიდან). მოგზაურობდა ირანში, შუა, სამხრ. და დას. აზიაში; მესაძლებელია იყო ჩრდ. აფრიკაში, სიცილიასა და ანდალუსიაშიც. პირადი დაკვირვებისა და ლიტ. მასალის საფუძველზე შეადგინა „წიგნი სახელმწიფოთა გზების შესახებ" (დაახლ. 930—933; ცნობილი გახდა 950), სადაც მოგვცა მუსლ. ქვეყნების (დას. ინდოეთიდან მაროკოსა და ესპანეთამდე) გეოგრ., პოლიტ. და სტატისტ. აღწერა. ი-ს შრომამ დიდი გავლენა იქონია ბევრი არაბი და სპარს. გეოგრაფის თხზულებებზე.

ისტერია (<ბერძნ. hystera—საშვილოსნო; უძველესი დროიდან ი-ს საშვილოსნოს ავადებებს უკავშირებდნენ), *ნევროზის* სახე, ფუნქციური ხასიათის ავადმყოფური დგომარეობა; უეცთარდებათ პათოლ. ხასიათის მქონე პირებს ფსიქ. ტრავმის შედეგად; უფრო ხშირად ემართებათ ახალგაზრდებს, უპირატესად ქალებს. ი-ის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების მომეტებულ შთაგონებადობას, ავითშთაგონებადობას და ემოციური სფეროს აგზნებადობას. ი-ის პათოფიზიოლ. საფუძველია უმაღლეს ნერვულ მოქმედებაში აგზნების პროცესების სიჭარბე შეფავების პროცესებთან შედარებით და თანის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა კვანძების ურთიერთმოქმედების დარღვევა. ი-ის როს შესაძლებელია მოტორული დარღვევები (ისტერიული გულყრა, დამბლა, ჰიპერკინეზია, კონტრაქტურა, სრული უმოქმედობა, კანკალი, ხმის დაკარგვა და სხვ.), ენსორული მგრძნობელობის მოშლა (ისტერიული ანესთეზია, ჰიპერესთეზია, ტკივილის შეგრძნება, სიბრმავე, დამუნჯება, ბოსვისა და გემოვნების დაკარგვა), ვეგეტატიური მოშლილობანი (საყლაპავის ატერიული სპაზმი, ჰაერის უკმარისობის რძნობა, პირღებინება, სლოკინი, ბოყინი, ბრდის შეუკავებლობა, ფაღარათი, მეეორიზმი, გაძლიერებული ნერწყვის დენა ს სხვ.). ისტერიულ ფსიქოზს ახასიათებს ბრუ ჭკუასუსტობა, პუერილიზმი („გაბავშვება") და ბინდისებრი ცნობიერება. ოგჯერ აღინიშნება აგრეთვე ემოციური ოშლილობანი (შიში, დეპრესია), ჰალუცინაციები და ბოდვისმაგვარი ფანტაზია.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: ფსიქოთერაპია, ერვული სისტემის დამამშვიდებელი პრეპარატები, ფიზიოთერაპიული პროცედურები, შრომითი თერაპია და სხვ.

ბ. ნანეიშვილი.

ისტ-ლონდონი (East London), ქალაქი და ნავსადგური სამხრ. აფრიკის რესპუბლიკის სამხრ.-აღმ. ნაწილში, კაპის პროვინციაში, ინდ. ოკეანის ნაპირას, მდ. ბუფალოს შესართავთან. 125 ათ. მკს. (1972), მ. შ. ნახევარზე მეტი აფრიკელია. სარკინიგზო კვანძი. სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო, სამკერვალო, ტყავის, ავტოსაამწყობო მრეწველობა. თევზსაჭერი ფლოტის ბაზა. დაარსდა 1847—48.

ისტომინა ავდოტია ილიას ასული [6 (17). I. 1799, პეტერბურგი, — 26. VI (8. VII). 1848, იქვე], რუსული ბალეტის მსახიობი. 1816 წლიდან იყო პეტერბ. დიდი თეატრის წამყვანი მოცეკვავე. პარტიები: ლიზა („ლიზა და კოლენი, ანუ ამაო სიფრთხილე", 1821), ლუიზა („დეზერტირი", 1821; ორივე ბალეტის მუსიკა ნაკრებია), ფლორა (კავოსის „ზეფირი და ფლორა", 1822), ნინა (პერსიუის „ნინა ანუ სიყვარულით შეშლილი", 1828) და სხვ. ი-მ პირველმა შექმნა პუშკინის გმირთა სახეები სცენაზე: ჩერქეზი ქალი (კავოსის „კავკასიის ტყვე ანუ საპატარძლოს აჩრდილი", 1823) და ლიუდმილა (შოლცის „რუსლან და ლიუდმილა", 1824). 1830-იდან ასრულებდა ხშოლოდ მიმიკურ პარტიებს. 1836 დატოვა სცენა. ი-ს ხელოვნებას ახასიათებდა ჰაეროვნება, გრაცია და სიმსუბუქე, მკაფიო სცენური ტემპერამენტი.

ისტომინი ვლადიმერ ივანეს ძე [1809, პენზის გუბ.,—7 (19). III. 1855, სევასტოპოლი], სევასტოპოლის დაცვის (1854—55) გმირი, კონტრ-ადმირალი (1853). დაამთავრა საზღვ. კადეტთა კორპუსი (1827). მონაწილეობდა *ნავარინოს ბრძოლაში* (1827) და დარდანელის ბლოკადაში (1828—29). 1836 ბალტიის ფლოტიდან შავი ზღვის ფლოტში გადაიყვანეს. 1850-იდან მეთაურობდა სახაზო გემს „პარიზს", რ-ითაც მონაწილეობა მიიღო *სინოპის ბრძოლაში* (1853). სევასტოპოლის დაცვის დროს ხელმძღვანელობდა *მალაპოვის ყორღანის* დაცვას. დაილუპა კამჩატკის რედუტზე. დაკრძალულია სევასტოპოლში.

ისტორია (ბერძნ. historia — თხრობა, მოთხრობა გარდასულ ამბებზე). 1. განვითარების ყოველგვარი პროცესი ბუნებასა და საზოგადოებაში. ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ სამყაროს შექმნის ი-ზე, დედამიწის ი-ზე, ცალკეულ მეცნიერებათა — ფიზიკის, ბათემატიკის, სამართლის — ი-ზე და ა. შ. 2. მეცნიერება, რ-იც შეისწავლის ადამიანთა საზოგადოების წარსულს მთელი მისი კონკრეტული ფორმებითა და მრავალფეროვნებით, რაოა შეცნობილ იქნას საზოგადოების აწმყო და მომავლის პერსპექტივები. მარქსისტულ-ლენინური ისტ. მეცნიერება ადამიანთა საზ-ბის განვითარებას სწავლობს როგორც: „...ერთიან, კანონზომიერ პროცესს მთელი თავისი უზარმაზარი მრავალმხრივობითა და წინააღმდეგობით" (Л е н и н В. И., Полн. собр. соч., 5 изд., т. 26, с. 58).

ი. *როგორც საზოგადოების განვითარების პროცესი.* საზ-ბის ი. არის დედამიწის, ბუნების ი-ის შემადგენელი ნაწილი და გაგრძელება. იგი არის ი. ადამიანებისა, რ-თა ისტ. შემოქმედება იწყება ადამიანის საზ-ბის გენეზისიდან.

საზ-ბის ი. პროცესებისა და მოვლენების (ამბების), ცალკეულ ინდივიდთა, ადამიანთა კოლექტივების, მთელი კაცობრიობის კონკრ. თუ მრავალმხრივი მოქმედებისა და საქციელის ერთიანობაა. კაცობრიობამ განვლო გზა ბუნების ძალებისადმი მორჩილებისა და თაყვანისცემიდან ბუნებისა და საზ-ბის შეგნებულ გარდაქმნამდე, სათანადოდ შეიცნო მათი განვითარების კანონზომიერებანი. ამასთანავე, მიმდინარეობდა ხანგრძლივი და უაღრესად რთული პროცესი კლასობრივ საზ-ბათა გავლით პირველყოფილ კოლექტივთა გადასვლისა ადამიანთა ისეთ საზ-ბაზე, რ-შიც (მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. საზ-ბის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მ. შ. განმსაზღვრელია მატერ. წარმოება, ე. ი. იმ საარსებო საშუალებათა შექმნა, რაც საჭიროა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. საზ-ბის მატერ. ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საზ-ბის სოც.-პოლიტ. და სულიერ წყობას, განსაზღვრავს ურთიერთობათა გაბატონებულ ტიპს.

ა. ისტომინა.

ვ. ისტომინი.

საზ-ბის ცხოვრება, მისი ისტორია ვლინდება ადამიანთა შეგნებულ საქმიანობაში, რ-იც ისტ. პროცესის სუბიექტურ მხარეს შეადგენს. ყოველი კონკრ. საზ-ბის ცნობიერება და მისთვის დამახასიათებელი ცალკეული ზედნაშენური ელემენტები წარმოადგენს საზ. ყოფიერების, უპირველეს ყოვლისა, იმავე საზ-ბაში გაბატონებული ეკონ. ბაზისის ასახვას. ადამიანთა ყოველ თაობას ახასიათებს გარკვეული სოც.-ეკონ. ურთიერთობათა სისტემა. ახ. თაობის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ურთიერთობანი განსაზღვრავენ ამავე თაობის საქმიანობის ხასიათსა და პირობებს. ბაზისის განვითარებაზე მუდმივ გავლენას ახდენს სხვადასხვა ზედნაშენური ელემენტი: კლასობრივი ბრძოლის პოლიტ. და სამართ. ფორმები, პოლიტ., იურიდ.-ფილოს. თეორიები, რელიგ. შეხედულებანი და ა. შ. საზ-ბის ი. იცნობს წარმოებით ურთიერთობათა შემდეგ ძირითად ტიპებს: პირველყოფილ თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და კომუნისტურს და მათ შესატყვის საზ.-ეკონ. ფორმაციებს (მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, არსებობდა აზიური წარმოებითი ურთიერთობანიც; (იხ. *აზიური წარმოების წესი*).

საზ-ბის ყოფიერების ცვლილება იწვევს ახ. იდეების წარმოშობას, რაც, თავის მხრივ, საზ-ბის კლასებს შორის ბრძოლის მიზეზი ხდება. საკუთრებისა და პოლიტ. დაწესებულებების ძვ. და ახ. ფორმებს შორის ბრძოლა, ჩვეულებრივ, ამ უკანასკნელთა გამარჯვებით მთავრდება. ანტაგონისტურ ფორმაციებში საზ-ბის საწარმოო ძალთა შეუსაბამობა არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან კლასობრივ ბრძოლაში ვლინდება (იხ. *კლასები*). ამ ბრძოლის უმაღლესი გამოხატულებაა სოც. რევოლუცია.

ი-ის ძირითადი შემოქმედია ხალხი, რ-იც გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანთა საზ-ბის ეკონ., პოლიტ. და სულიერ განვითარებაში. განსაკუთრებით აქტ. ხდება იგი სოციალ. რევოლუციის, სოციალ. და კომუნისტური მშენებლობის დროს. სოციალ. რევოლუცია ძირფესვიანად ცვლის მსოფლიო ი-ის მსვლელობას, იგი მოასწავებს პრინციპულად ახ. საზ. სისტემაზე — უკლასო საზ-ბაზე — გადასვლის დასაწყისს.

მატერ. პროგრესის განვითარებასთან ერთად ხდებოდა ადამიანთა კოლექტივების წინსვლითი განვითარება სოც. სფეროში — პირველყოფილი ჯოგიდან, გვარებიდან და ტომებიდან ხალხებამდე და ერებამდე, ექსპლუატატორული საზ-ბიდან —სოციალ. საზ-ბამდე.

ადამიანთა საზ-ბის განვითარებას სიერცითი ასპექტი აქვს. პირვანდელი გაჩენის კერებიდან (იხ. *ანთროპოგენეზი*) ადამიანი თანდათან განსახლდა დედამიწაზე, სულ ახალ და ახალ ვრცელ ტერიტორიებზე. ეს პროცესი რამდენადმე ახლაც გრძელდება. თუკი პირველყოფილი წყობილება არსებობდა ასიათასობით წლები, თავისი განვითარების მომდევნო ეტაპები საზ-ბამ აჩქარებული ტემპებით განვლო. კაცობრიობის განვითარების ისტ. პროცესი ყველა ხალხსა და ქვეყანაში არ არის თანაბარი და ერთნაირი. არათანაბრად

მიმდინარეობს ისტ. განვითარება ერთი ეპოქის ან ქვეყნის ფარგლებშიც. ეკონ., პოლიტ. თუ სულიერი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში შეიმჩნევა აყვავება, აღმავლობა, ხოლო ზოგიერთში — დაცემა, მოდუნება. ისტ. განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე მყოფი ხალხებიც კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ისტ. განვითარების ზოგადი ტენდენცია გამოიხატება საზ.-ეკონ. ფორმაციების ცვლაში, თუმცა მსოფლიო O-ში საერთოდ პირველი ანტაგონისტური ფორმაციის წარმოშობის შემდეგ ყოველ გარკვეულ პერიოდში ადგილი აქვს ერთდროულად რამდენიმე ფორმაციის არსებობას. მაგ., თანამედროვე ეპოქაში ორი ძირითადი ფორმაციის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის გვერდით მთელ რიგ ხალხებში შემორჩა ფეოდ. წყობა (აფრიკა, აზია).

O. როგორც ადამიანთა საზ-ბის წარსულის შემსწავლელი მეცნიერება. ისტ. მეცნიერებამ თავისი განვითარების მთელ მანძილზე შეისისხლხორცა ადამიანთა მრავალი თაობის გამოცდილება; ფართოვდებოდა და მდიდრდებოდა მისი შინაარსი, შესწავლის საგანი, გროვდებოდა ცოდნა. მსოფლიო O. გახდა კაცობრიობის ათასწლოვანი გამოცდილების საცავი მატერ. და სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში. ყველა საზ. მეცნიერება ისტორიულია საზ. მოვლენათა და პროცესთა შემეცნების მეთოდის მიხედვით. იმ საზ. მეცნიერებათა ერთობლიობას, რ-ებიც სხვადასხვა მხრით და ასპექტით შეისწავლიან საზ-ბის O-ს (საკუთრივ O., ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტეკონომია, იურისპრუდენცია, ფილოლოგია, ენათმეცნიერება და სხვ.), საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათაგან განსხვავებით, უწოდებენ საზ. მეცნიერებათა სისტემას. ეს მეცნიერებები ერთმანეთთან ორგ. კავშირში არიან, ისინი დიალექტ. ერთიანობაში იკვლევენ წარსულს და საზ-ბის თანამედროვე მდგომარეობას, რათა შეიცნონ განვითარების კანონზომიერებანი აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებისათვის. ადამიანთა საზ-ბის განვითარების ზოგადი კანონებისა და ამ განვითარების მამოძრავებელი ძალების ფორმულირება არის *ისტორიული მატერიალიზმის* შესწავლის საგანი.

O., როგორც მეცნიერება, ვიწრო მნიშვნელობით არის საზ. მეცნიერებათა ჯგუფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. კარგა ხნის მანძილზე O. წმინდა აღწერითი ხასიათისა იყო. მხოლოდ მოგვიანებით დაიწყო ისტ. მეცნიერებამ ადამიანთა საზ-ბის ისტ. პროცესის მექანიზმის ელემენტთა, კავშირთა, სტრუქტურის შესწავლა. XIX ს-ში წარმოიშვა სოც.-ეკონ. O., რ-იც მარქსიზმის გავლენით გადაიქცა სოც.-ეკონ. პროცესების, ურთიერთობების O-დ. ისტ. მეცნიერების შესწავლის საგანი გახდა საზ-ბის მთელი კონკრ. და მრავალფეროვანი ცხოვრება ყველა მისი ფორმით ადამიანთა საზ-ბის წარმოშობიდან თანამედროვეობამდე. ისტ. მეცნიერებისათვის მთავარია საზ-ბის კონკრ. O-ის შესწავლა. ამასთანავე O. ეყრდნობა წარსულისა და აწმყოს ფაქტებს, რ-თა შეკრება, სისტემატიზაცია და ურთიერთკავშირში გაანალიზება არის ისტ. მეცნ. შინაგანი საფუძველი. საზ-ბის O-ის მარქსისტული გაგება მოითხოვს ფაქტების გულმოდგინე შეგროვებასა და შესწავლას. სხვადასხვა მოვლენის, ამბისა და პროცესის შესახებ ცალკეული ფაქტების გამოვლენა O-ის, როგორც მეცნიერების, ერთ-ერთი მხარეთაგანია. ამის გამო O-ში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თხრობასა და აღწერას. მაგრამ O. მხოლოდ აღწერა არ არის, იგი ყველა ფაქტის ანალიზს ახდენს და ამის საფუძველზე მიდის საზ. ცხოვრებაში მომხდარი მოვლენებისა და პროცესების არსის გაგებამდე, მისი განვითარების სპეციფიკური კანონების აღმოჩენამდე. ყველა ასეთ აღმოჩენას O. ჩამოაყალიბებს თეორ. განზოგადებათა სახით. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ საზ-ბის ისტ. განვითარების ძირითადი კანონების აღმოჩენის დროიდან O. ნამდვილი მეცნიერება გახდა. O-ის, როგორც მეცნიერების, მეორე მხარე არის თეორ. განზოგადება, დაგროვილი და ურთიერთდამოკიდებული ფაქტებისა და ცალკეული დასკვნების შეცნობა. ისტ. მეცნიერების ამ ორი მხარის ერთიანობა განუყოფელია. რაიმე სახით მის დარღვევას საზ-ბის O-ის შემეცნების პროცესის დამახინჯებამდე მივყავართ.

საზ-ბის O-ის შემეცნების მეცნ. მეთოდი თანდათან შეიმუშავეს საზ. დარგის მეცნიერებმა. XIX ს. შუა წლებამდე ისტორიკოსები სარგებლობდნენ ისეთი მეთოდებით, რ-ებიც მნიშვნელოვნად ემყარებოდნენ მეტაფიზიკას, ცალმხრივად აფასებდნენ ცალკეულ ფაქტორთა (ბუნებრივი პირობები, გამორჩენილი პიროვნებები, საზ. იდეები და სხვ.) როლს საზ-ბის ცხოვრებაში. მაგრამ დიალექტიკისა და მატერიალიზმის შერწყმამ შესაძლებელი გახადა საზ-ბის O-ის შემეცნების რთული და მრავალმხრივი მეცნ. მეთოდის შემუშავება. ყველა საზ. მეცნიერებამ საზ-ბის ცხოვრების ფაქტებისა და პროცესების შესასწავლად აუცილებლად უნდა გამოიყენოს *ისტორიზმის* პრინციპები. ჯერ კიდევ ძვ. აღმოსავლეთისა და ანტ. სამყაროს ისტორიკოსები, რ-თაც გამარტივებულად ესმოდათ ეს პრინციპები, ცდილობდნენ ისტ. ამბები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღეწერათ. მოგვიანებით ისტორიზმისაკენ სწრაფვა გამოიხატა ისტ. პროცესის ძირითადი არსის გამოვლენის ცდებში. მარქსიზმმა ისტორიზმი აქცია ისტ. პროცესის კანონზომიერებათა შემეცნების მეცნ. მეთოდად. ისტორიზმის პრინციპის უგულებელყოფა იწვევს ისტ. სინამდვილის დამახინჯებას (მაგ., წარსულის მოდერნიზაციას).

O. იყო და არის პარტ. მეცნიერება. ისტორიკოსთა პარტიულობა, მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომა გამოიხატება მათ თეორ. განზოგადებებში. საზ-ბის O-ის შესწავლის პროცესში ისტ. მეცნიერებაში მოხდა ცალკეული ნაწილების გარდაუვალი სპეციალიზაცია. თანამედროვე O. არის ცოდნის სფერო, რ-იც შედგება მეცნ. ცალეკეული დარგებისაგან, დამხმარე და სპეც. ისტ. დისციპლინებისაგან. ცალკეულ ნაწილთა სპეციალიზაციის ხარისხი სხვადასხვაა, რის გამოც მ. შ. გამოყოფენ რამდენიმე ჯგუფს.

პირველ ჯგუფს შეადგენს ისტ. მეცნ. ის დარგები, რ-თა ფარგლებში ისტორიკოსები საზ-ბის O-ს შეისწავლიან მთლიანად (მსოფლიო O.) ან ნაწილების მიხედვით. O-ს სწავლობენ ფორმაციებისა და ეპოქების, კომპლ. პრობლემების მიხედვით, სივრცობრივ-გეოგრ. პრინციპით, გარდა ამისა, ცალკე შეისწავლიან ადამიანთა O-ის სხვადასხვა მხარესა და მოვლენას. პირველ შემთხვევაში მსოფლიო O-ში გამოიყოფა: პირველყოფილი საზ-ბის O., ძვ. O., შუა საუკ. O., ახ. O. და უახლესი O. სივრცობრივ-გეოგრ. პრინციპის მიხედვით გამოიყოფა: დიდი, ერთმანეთთან ისტორიულად დაკავშირებული რ-ნების რეგიონალური O. (მაგ., ევრ. ან დედამიწის სხვა რომელიმე ნაწილის, ცალკეულ რეგიონთა — ახლო და შუა აღმოსავლეთის O. და ა. შ.) და ცალკეული ქვეყნებისა და ხალხების O. (მაგ., საფრ., სსრკ, უკრ., საქართვ. O.). კომპლ. პრობლემათა დამუშავება განპირობებულია მოვლენებში ზოგადისა და განსაკუთრებულის შესწავლის აუცილებლობით (ალორძინების, რეფორმაციის O.). კაცობრიობის O-ის ცალკეული მხარეების შესწავლამ გამოიწვია ისტ. მეცნიერებათა ცალკეული დარგების პირობითი გამოყოფა-დანაწევრება (ეკონ. O., პოლიტ. O., სამზ. O., საგარეო პოლიტ. O., მუშათა მოძრაობის O. და ა. შ.).

მეორე ჯგუფს ქმნის დამხმარე და სპეც. ისტ. დისციპლინები: *წყაროთმცოდნეობა, არქეოგრაფია, პალეოგრაფია, დიპლომატიკა,* ქრონოლოგია, ისტ. მეტროლოგია, სფრაგისტიკა, *გენეალოგია, ჰერალდიკა, ნუმიზმატიკა.* დამოუკიდებელ ადგილს იკავებს ორი სპეც. ისტ. მეცნიერება — *არქეოლოგია და ეთნოგრაფია,* რ-ებიც O-ის ორგ. ნაწილებია.

ცალკე ჯგუფს შეადგენს მომიჯნავე დარგების მეცნიერებანი — ბუნებისმეტყველებისა და მისი ნაწილების O. (ფიზიკის O., ქიმიის O., და სხვ.), ტექნიკის O., სახელმწიფოს და სამართ. O., ეკონ. მეცნიერებათა O., სამხ. ხელოვნების O. და ა. შ. თვით ისტ. მეცნიერების O-ს სწავლობს *ისტორიოგრაფია.*

O-ის დარგში მეცნ. მუშაობა მიმდინარეობს სპეც. სამეცნ. დაწესებულებებში. ესენია: ისტ. ინ-ტები (სსრკ-ში — საბჭ. კავშირის მეცნ. აკად., მოკავშირე რესპუბლიკების მეცნ. აკადემიების სისტემაში), უნ-ტები, მუზეუმები, არქივები, რ-ები. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ისტ. საზ-ბების სახით. მეცნ. ხასიათის მონოგრაფიების, კოლექტ. მეცნ. ნაშრომების სასწ. ლიტ-რის მომზადების გარდა, მათ მუშაობაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ისტ. წყაროების გამოქვეყნებას, ისტ. ჟურნალების გამოცემას, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსთა შორის მეცნ. კონტაქტების გაფართოებას. კვლევით მუშაობას აჯამებს ისტ. მეცნიერებათა საერთაშ. კონგრესები, რ-ებიც ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ სპეციალისტ ისტორიკოსთა კადრებს.

ისტორიული ჟურნალები

რევოლუციამდელ რუსეთში სპეც. ისტ. ჟურნალების წინამორბედი იყო ნ. ნოვიკოვის «Древняя российская вивлиофика» (გამ. ტ. 1—10, 1773—75, II გამ., ტ. 1—20, 1788—91). XIX ს.—XX ს. 10-იანი წწ. ისტ. ჟურნალებიდან აღსანიშნავია: «Русский исторический сборник» (М., 1837—44); «Чтения в обществе истории и древностей Российских» (М., 1846—48, 1858 — 1918); «Исторический сборник Вольной русской типографии в Лондоне» (т. 1—2, 1859—61, გამომცემლები გერცენი და ნ. ოგარიოვი); «Русский архив» (М., 1863—1917); «Сборник русского исторического общества» (СПб., 1867—1916); «Русская старина» (СПб., 1870—1918); «Древняя и новая Россия» (СПб., 1875—81); «Чтения в историческом обществе Нестора-летописца» (К., 1879—1914); «Исторический вестник» (СПб., 1880—1917); «Киевская старина» (К., 1882—1906); «Историческое обозрение» (СПб., 1890—1916). მისი გაგრძელება 1917—21 «Русский исторический журнал»; «Былое» (Лондон, Париж, 1900—04; СПб., 1906—07; Париж, 1908—13; П., 1917—26); «Минувшие годы» (СПб., 1908); «Голос минувшего» (М., 1913—23).

ისტ. ჟურნალები სსრკ-ში

«Пролетарская революция» (М., 1921—41); «Каторга и ссылка» (М., 1921 — 34); «Красная летопись» (П., 1922—34; 1935—37); «Борьба классов» (М., 1931—36); 1936-იდან ეწოდა «Исторический журнал» [(М., 1937—45), 1941 მას შეერთოდა «Историк-марксист» (М., 1926—41); 1945-იდან ეწოდა «Вопросы истории»]; «Научные доклады высшей школы. Исторические науки» (М., 1955—62); «Вестник древней истории» (М., 1937-იდან); «Военно-исторический журнал» (М., 1959-იდან); «Вопросы истории КПСС» (М., 1957-იდან); «История СССР» (М., 1957-იდან); «Византийский временник» (М., 1947-იდან, СПб., 1894—1927); «Народы Азии и Африки» (М., 1955-იდან); «Новая и новейшая история» (М., 1957-იდან); «Советское славяноведение» (М., 1965-იდან); მოსკოვსა და ლენინგრადის უნ-ტების «Вестник»-ები; სათანადო სერიები; «Український історичний журнал» (Київ, 1957-იდან); «Советское финно-угроведение» (Тал., 1965-იდან); «Պատմա-բանասիրական հանդես» (ერევანი, 1958-იდან, სომხ. და რუს. ენებზე), რესპუბლიკურ მეცნ. აკად. მოამბეთა საზოგადოებრ. მეცნიერებათა სერიები და სხვ.

ისტ. მასალები და გამოკვლევები რევოლუციამდელ საქართველო


1:20 000 000
1:9 500 000


შავი მეტალურგია
ფერადი მეტალურგია
მანქანათმშენებლობა
და ლითონდამუშავება
ქიმიური
მინერალური სასუქების
წარმოება
ნავთობგადამამუშავებელი
ხის დამამუშავებელი
სამშენ მასალათა
წარმოება
მინის და ფაიფურ-ქაშანურის
საფეიქრო
ტყავ-ფეხსაცმლის
კვების
ხალიჩების მინამრეწველური
წარმოება
მენიშვნა: საშრეწველო პუნქტების სიდიდე დაახლოებით
შეესაბამება მათ კატეგორიებს წარმოების სიდიდის
მიხედვით
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება
ნავთობი
ბუნებრივი აირი
ქვანახშირი
Fe რკინის მადანი
Mn მანგანუმის მადანი
Cr ქრომიტების მადანი
Cu სპილენძის მადანი
Pb ტყვიის მადანი
Zn თუთიის მადანი
Sb სტიბიუმის მადანი
Au ოქრო
Ag დარიშხანის მადანი
S გოგირდი
სუფრის მარილი
ნ3 ფირუზი
მარგალიტის მოპოვების რაიონები
სოფლის მეურნეობა
ბრინჯი, ჩაი თამბაქო, კენაფი, ციტრუსები; მეაბრეშუმეობა,
მეფუტკრეობა (მსხვილი და ნერილფეხა რქოსანი საქონელი)
მარცვლეული (ხორბალი, ქერი), პარკოსანნი, ზეთოვანნი, ბამბა;
მეცვენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, საძოვრული მესაქონლეობა
(მსხვილი და ნერილფეხა რქოსანი საქონელი, ცხენი, ჯორი და სხვ.)
საძოვრული მესაქონლეობა (უმთავრესად ნერილფეხა რქოსანი
საქონელი); მარცვლოვანნი (ხორბალი, ქერი); მებაღეობა
საძოვრული მესაქონლეობა (ცხვარი, თხა, აქლემი) მარცვლოვანნი
მინათმოქმედების კერებით; ფინიკის პალმა, თამბაქო
ნაკლებად გამოყენებული და გამოუყენებელი მინები
გავრცელების რაიონები
ხორბალი
ბრინჯი
ბამბა
მაქრის ქარხალი
მაქრის ლერწამი
თამბაქო
ზეთოვანნი კულტურები (მზესუმზირა,
სოია, მიწაბანი)
ხაშაში
ციტრუსები
ვაზი
ფუტკა
თბოელექტროსადგურები
100 ათასიდან 1,4 მლნ. კვტ-ამდე
100 ათასამდე კვტ-
ჰიდროელექტროსადგურები
ნავსადგურების ნლიური ტვირთბრუნვა
15-დან 45-მდე
Ag Pb Zn
S
Fe
Cr
Cu
Sb
Mn
Pb Zn
Zn
Cu Pb
Au
Zn Pb
Fe
Fe

ვეყნდებოდა შემდეგ ჟურნალებსა და კრებულებში: „მოამბე“ (1894—1905); „მწყემსი“ (1863—1910); „საქართველოს კალენდარი“ (1888—98, 1903—05); „საქართველოს სიძველენი“ (ტ. 1—3, 1899—1926); „ძველი საქართველო“ (ტ. 1—4, 1909—15); «Записки Кавказского отдела императорского русского географического общества» (кн. 1—31, Тфл., 1852—1919); «Известия Кавказского общества истории и археологии» (кн. 1—2, Тфл., 1882—84); «Известия Кавказского отделения императорского московского археологического общества» (в. 1—6, Тфл., 1904—21); «Известия Кавказского отдела русского географического общества» (т. 1—25, Тфл., 1872—1917); «Кавказский вестник» (Тфл., 1900—05); «Кавказский календарь» (в. 1—72, Тфл., 1845—1916); «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» (в. 1—44, Тфл., 1881—1915; в. 45—46, Махачкала, 1926—29); «Сборник сведений о кавказских горцах» (т. 1—10, Тфл., 1868—81) და სხვ.

საბჭ. საქართველოში ისტ. მასალები და გამოკვლევები ქვეყნდება შემდეგ ჟურნალებსა და კრებულებში: „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ (ტ. 1—10, 1919—30); „აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ახალმწიფო მუზეუმის მოამბე“ (1922-იდან); „ჩვენი მეცნიერება“ (1923—26); „რევოლუციის მატიანე“ (1923—31); „მიმომხილველი“ (საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბა, 1926); „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ (1936-იდან); „აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინ-ტის მოამბე“ (ტ. 1—14, 1937—54); „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (ნაკვ. 1—35, 1937—63); „საისტორიო მოამბე“ (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამართველო, 1945-იდან), მისი წინამორბედი „საისტორიო მოამბე“ (წგნ. 1—4, 1924—25); „ანალები“ (ტ. 1, 1947); „მიმომხილველი“ (ტ. 1—3, 1949—53); „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები“ (ტ. 1—7, 1955—64); „მოამბე“ (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინ-ტი, ტ. 1—5, 1959—63); „მაცნე“ (საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებისა მეცნიერებათა განყოფილების ორგანო 1960—70), 1960—63 ეწოდებოდა „საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე“, 1971-დან „მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“; „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“ (1960-იდან); „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“ (1960-იდან; 1970-დან „ძველი ისტორიის საკითხები“); „ქართული წყაროთმცოდნეობა“ (1965-იდან); „საისტორიო კრებული“ (1968-იდან); „ქართული ისტორიოგრაფია“ (1968-იდან); „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“ (1970-დან); „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“ (1971-იდან); „მრავალთავი“ (ხელნაწერთა ინ-ტი, 1971-იდან); „საქართველოს ახლესი ისტორიის საკითხები“ (1970-იდან); Кавказский историко-археологический институт в Тифлисе. «Известия», т. 1—2, Л., 1923—27; т. 3—4, Тфл., 1925—26; «Бюллетень» (т. 1—4, Тфл., 1928; т. 5—6, 8, 9., 1929—31); ისტ. მასალა ქვეყნდება ავტორთა დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის, ბაუმისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-ლელვითი ინსტიტუტების შრომებში, რუსეთის ეროვნ. ბიბლიოთეკის ენინგრ. ფილიალის ენინგრ. ფილოლოგიური ინ-ტის, ენინგრ. ფილიალის ენინგრ. ფილოლოგიური ინ-ტის, ბაკურიანის ბალნეოლოგიური სამეცნ.-კვლევითი

დაწესებულება. ჩამოყალიბდა 1941 *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის* გაყოფის შედეგად. 1964-მდე ერქვა ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტი. ინ-ტში სამეცნ.-კვლ. მუშაობაა გაშლილი ისტ. მეცნიერების ყველა ძირითადი მიმართულებით. არის ისტ. პროფილის 18 განყ-ბა, ეთნოგრ. სექტორი (3 განყ-ბა) და არქეოლ. კვლევა-ძიებათა ცენტრი (1977-იდან). საქართვ. ისტ. საკვანძო საკითხებს ამუშავებენ ძირითადად ძველი ისტორიის, შუა საუკუნეების ისტორიის, ახ. ისტორიის, საბჭ. საქართ. ისტორიის, უახლესი ისტორიის, დიდი სამამულო ომის ისტორიის, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭ. მეურნეობების ისტორიის, სსრკ ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის, კავკასიის ხალხთა ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ისტ. მეცნიერებისა და საზ. აზრის ისტორიის, ისტ. გეოგრაფიის, კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევათა, ანთროპოლოგიის განყ-ბებში, ეთნოგრ. სექტორსა და არქეოლ. ცენტრში. ინ-ტს აქვს ასპირანტურა და სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი 2 სპეციალიზებული საბჭო. ინ-ტი ამუშავებს და აქვეყნებს კოლექტიურ სამეცნ. ნაშრომებს, ცალკეულ მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სამეცნ.-პოპულ. ნაშრომებს. ინ-ტმა 1970—80 გამოაქვეყნა ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" (8 ტომი). სხვადასხვა დროს ჰქონდა საკუთარი პერიოდული გამოცემები: „ენიმკის მოამბე", „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", „შრომები", თემატური კრებულები. ინ-ტის ძირითადი პერიოდული ორგანოა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ ა ცნ ე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია".

ქ. თოფურიძე.

ისტორიის მატერიალისტური გაგება, იხ. *ისტორიული მატერიალიზმი.*

ისტორიის ფილოსოფია, მარქსამდელი და თანამედროვე ბურჟუაზიული სოციალური ფილოსოფიის დარგი, ისტორიის ფილოსოფიური გააზრების ცდა, რ-იც კაცობრიობის განვითარების შესწავლას ცდილობს უნივერსალური ისტორიული თვალთახედვით.

მარქსამდელი ი. ფ. წარმოიშვა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როგორც ერთგვარი რეაქცია სუბიექტივისტური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ და ისტ. მთლიანობაში გააზრების ცდა. XVII—XVIII სს-ში მისი წარმომადგენლები (ბოდენი, ვიკო, *ვოლტერი, ჰერდერი* და სხვ.) უპირისპირდებიან შუა საუკუნეებში გაბატონებულ თეოლ. მოძღვრებას, რ-ის მიხედვით ისტ. მამოძრავებელი ძალაა არაისტ. არსება, ღმერთი ან მისი ნება. ამ დროიდან ი. ფ. იქცა კაცობრიობის ისტ. განვითარების თეორიად, რ-იც ცდილობდა დაედგინა კანონზომიერი კავშირი ისტ. დროს (წარსული, აწმყო, მომავალი) სამ ძირითად მომენტს შორის, გაერკვია ისტ. მიზანი, მამოძრავებელი ძალები და საზრისი. ისტორია განიხილებოდა ტრანსცენდენტური კანონებისა და ბედისწერის ასპარეზად. ეს თეორია ცდილობდა რეალური ისტ. პროცესი ფილოსოფიურად კონსტრუირებული სქემისადმი დაექვემდებარებინა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისმა წარმომადგენლებმა (*ჰეგელმა* და სხვ.) კაცობრიობის ისტ. შემეცნების ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა წამოაყენეს, ი. ფ. მაინც ვერ გასცდა იდეალიზმისა და მეტაფიზ. ჩარჩოებს. მართალია, მან დაადგინა, რომ „ისტორიული მოღვაწეების როგორც აშკარად შესამჩნევი, ისე ნამდვილად მოქმედი მოტივები სრულიადაც არ წარმოადგენენ ისტორიული მოვლენების უკანასკნელ მიზეზებს, ამ მოტივების უკან სხვა მამოძრავებელი ძალები დგას და საჭიროა მათი გამორკვევა; მაგრამ ისტორიის ფილოსოფია ამ ძალებს თვით ისტორიაში კი არ ეძებდა, არამედ ისინი გარედან, ფილოსოფიური იდეოლოგიიდან შეჰქონდა ისტორიაში" (ფ. ენგელსი).

ამ გარემოებამ XIX ს. 50-იან წლებში წარმოშვა პოზიტივისტური რეაქცია ტრადიციული ი. ფ-ის წინააღმდეგ. მაგრამ პოზიტივიზმთან ბრძოლაში იგი საბოლოოდ არ დამარცხებულა. XX ს. დამდეგს კვლავ აღორძინდა თანამედროვე ისტ. კრიტ. ფილოსოფიის სახით.

თანამედროვე ისტორიის კრიტ. ფილოსოფიამ ხელი აიღო ტრად. ი. ფ-ის დადებით შინაარსზე და განავითარა მისი უარყოფითი მხარეები; უარყო ისტ. პროგრესის, ისტ. კანონზომიერების, ისტ. მოვლენების შემეცნების შესაძლებლობის, ისტ. შინაგანი ლოგიკისა და სხვა იდეები; ყურადღების საგნად იქცა ისტ. წრებრუნვის, ისტ. მოვლენათა შეუცნობადობისა და სხვა რეაქციული თვალსაზრისები. ასეთი ტენდენცია თანამედროვე ბურჟ. იდეოლოგიის საერთო კრიზისის გამოხატულებაა.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი გ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1976; გ ო დ უ ა ე., ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966; Философские проблемы исторической науки, М., 1969. *გ. ასათიანი.*

ისტორიოგრაფია (*ისტორია* და . . . *ვრაფია*), 1. საერთოდ ისტორიული მეცნიერების ისტორია, აგრეთვე განსაზღვრული თემის, პრობლემის ან ისტ. ეპოქისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ერთობლიობა (მაგ., დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციის ი.), ანდა ერთობლიობა ისტ. ხასიათის ნაშრომებისა, რ-თაც შინაგანად აერთიანებს სოც.-კლასობრივი, თეორ.-მეთოდოლ. ან ეროვნული თვალსაზრისი (მაგ., მარქსისტული ი., ფრანგული ი. და ა. შ.). 2. ისტორიული მეცნიერების ისტ. შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინა. 3. ფართო მნიშვნელობით — თვით ისტორიული მეცნიერება (აქედან წარმოდგება ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი — იგივე ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი).

I. როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორია. უძველეს ხანაში ისტ. წარმოდგენები და ისტ. ცოდნის გარკვეული ელემენტი ჩანდა ყველა ხალხის ზეპირ გადმოცემებსა და თქმულებებში. კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობამ გაზარდა მოთხოვნილება ისტ. ცოდნაზე, დამწერლობის წარმოშობამ კი შესაძლებელი გახადა ამ ცოდნის დაგროვება. ადრინდ. კლასობრივ საზ-ბებში მომზადდა ზოგიერთი პირობა ისტ. შემეცნების განვითარებისათვის (მაგ., დამუშავდა წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემა), გაჩნდა ისტ. ხასიათის პირველი ჩანაწერები: ისტ. წარწერები (მეფეთა, ფარაონთა), მოვლენათა აღწერა წლიური თანამიმდევრობით და ა. შ. ისტ. შემეცნების პროგრ. განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ანტ. ი. მან უმაღლესი გამოხატულება პოვა ძვ. ბერძენი ისტორიკოსების ჰეროდოტესა და თუკიდიდეს თხზულებებში, რ-ებშიც გაბმული თხრობით არის გადმოცემული უმთავრესად პოლიტ. ისტორია. *პოლიბიოსის* ნაშრომებში პირველად ჩაისახა მსოფლიო ისტორიის მცნება. ანტ. ი-ში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ტიტუს ლივიუსის, ტაციტუსის, პლუტარქეს, არიანესა და სხვ. თხზულებებს. ანტ. ისტ. აზრისათვის, მიუხედავად მთელი მისი მიღწევებისა, უცნობი დარჩა ისტ. პროგრესის იდეა: ისტორია წარმოსახული იყო ან როგორც რეგრესული პროცესი, ანდა როგორც ციკლური განვითარება ერთი და იმავე სტადიების გავლით. ფეოდალიზმის ეპოქის ი-თვის, როდესაც ისტ. აზროვნების ხასიათს განსაზღვრავდა ძირითადად ფეოდ.-საეკლ. იდეოლოგია, დამახასიათებელი იყო პროვიდენციული შეხედულება ისტორიაზე. ისტ. მოვლენები განიხილებოდა როგორც ღვთიური ნების ჩარევის შედეგი, როგორც „ღვთიური გეგმის" განხორციელება. ამ იდეით იყო გამსჭვალული მსოფლიო ისტორიის ფეოდ. ქრისტ. პერიოდიზაცია, რ-იც გამოყოფდა „ოთხ მონარქიას" (ასურულ-ბაბილონურს, მიდიურ-სპარსულს, ბერძნულ-მაკედონურსა და რომაულს). დასავლეთევროპულ ფეოდ.-ქრისტ. ი-ზე ბიბლიასთან ერთად საგრძნობი გავლენა იქონია ქრისტიანი თეოლოგის ავგუსტინე ნეტარის ფილოს.-ისტ. კონცეფციებმა, მუსლ. ი-ზე — ყურანმა. ჰაგიოგრაფიულ ლიტ-რასთან ერთად გავრცელებული იყო ისტ. თხზულებათა ფორმა, როგორიცაა ანალები, „მსოფლიო ისტორიები". შუა საუკუნეთა ავტორები ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაში მხოლოდ მოვლენათა გარეგან კავშირს ხედავდნენ. თანდათან გართულდა ისტ. თხრობა. შედარებით პრიმიტ. ანალებს თან მოჰყვა უფრო რთული ქრონიკები. ქ-ების განვითარებამ გამოიწვია ქალაქური ქრონიკების გაჩენა, ხოლო სახელმწ. ცენტრალიზაციის პროცესში წარმოიშვა მატიანის ტიპის კრებულები.

ბურჟ. ისტ. აზროვნების ჩამოყალიბების პროცესის I ეტაპი იყო აღორძინების ეპოქის (XV—XVI სს.) დასავლეთ-ევრ. ჰუმანისტური ი. მისი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები ისტ. პროცესის მამოძრავებელ ძალას ხედავდნენ პარტიებისა და სოც. ჯგუფების პოლიტ. ბრძოლაში (ნ. მაკიაველი, ფ. გვიჩარდინი), ცდილობდნენ ამოეცნოთ ისტ. განვითარების კანონები. ისტორიისადმი ასეთი მიდგომა ნიშნავდა ისტ. ფეოდ.-თეოლ. გაგებასთან კავშირის გაწყვეტას, რაც პროგრ. ნაბიჯი იყო ი-ის განვითარებაში. ისტორიკოს-ჰუმანისტებმა დასაბამი მისცეს ისტ. წყაროების სისტემ. კრიტიკას, მათ ჩაუყარეს საფუძველი (განსაკუთრებით იტალ. ლ. ბრუნიმ) ისტ. ახ. პერიოდიზაციას (ძველი, შუა და ახ. პერიოდებად). XVII ს-ში გაჩნდა და დამხმარე ისტ. დისციპლინები (დიპლომატიკა, პალეოგრაფია, მოგვიანებით — არქეოგრაფია). XVIII ს. ფრანგი განმანათლებლები ისტორიას უდგებოდნენ რაციონალიზმის პოზიციებიდან. ისტ. განვითარების კანონებს ისინი ეძიებდნენ ან ადამიანის გონივრულ არსებაში, ანდა საზ-ბისა და ბუნების ურთიერთმოქმედებაში. ფრანგმა განმანათლებლებმა აღიარეს ადამიანთა მოდგმის „ბედის ერთიანობა" (ვოლტერი) და ამის საფუძველზე წამოაყენეს იდეა კაცობრიობის მსოფლიო ისტორიის შექმნისა; განავითარეს ბუნებრივი მდგომარეობის თეორია, რაც გულისხმობდა, რომ ისტ. განვითარების დასაწყისში ადამიანი მხოლოდ ნაწილი იყო ბუნებისა (ჟ. ჟ. რუსო); წამოაყენეს ისტორიაში უწყვეტი პროგრესის იდეა (ჟ. კონდორსე), დაამუშავეს მოძღვრება საზ. განვითარებაზე ბუნებრივ-გეოგრ. გარემოს გავლენის შესახებ (შ. მონტესკიე). ინგლ. და შოტ. განმან. ი-ის ცნობილმა წარმომადგენლებმა (ე. გიბონმა, უ. რობერტსონმა) ანტიკლერ. და ანტიფეოდ. პოზიციებიდან საფუძვლიანად გააშუქეს ევრ. ისტ. უმნიშვნელოვანესი პერიოდები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმ. განმანათლებლების (განსაკუთრებით ი. ჰერდერის) ფილოს.-ისტ. კონცეფციებს, რუსი განმანათლებლების, უპირველეს ყოვლისა, ა. რადიშჩევის იდეებს. XIX ს. დასაწყისში საგანმან. ი-ის და მისი იდეების წინააღმდეგ გაილაშქრეს რეაქციული თავადაზნაურული რომანტიზმის წარმომადგენლებმა, რ-ებიც უარყოფდნენ ისტორიაში გადატრიალებათა არსებობას, აიდეალებდნენ შუა საუკუნეებს, უარყოფდნენ ისტორიის რაციონალისტურ ახსნას. მიუხედავად ამისა, რომანტიკოსებმა ისტ. მეცნიერების განვითარებაში პროგრ. იდეებიც შეიტანეს. ისინი აღიარებდნენ ისტ. ეპოქათა შინაგან კავშირს, ყოველი ხალხის თანამედროვე მდგომარეობა მისი ხანგრძლივი ისტ. განვითარების პროდუქტად მიაჩნდათ და ა. შ.

XIX ს. დასაწყ. რუს. ი-ში გაბატონებული იყო თავადაზნაურულ-მონარქისტული იმმართულება (ნ. კარამზინი, მ. პოგოდინი), რ-იც იცავდა თეზისს რუს. ისტორიაში თვითმპყრობელობის გადამწყვეტი როლის, აგრეთვე რუსეთისათვის განვითარების რევ. გზის მიუღებლობის შესახებ.

XIX ს. I ნახ. ისტ. წარმოდგენათა პრერეზზე დიდი გავლენა იქონია უტოპიური სოციალიზმის (კერძოდ, ა. სენ-სიმონის) ფილოს.-ისტ. კონცეფციებმა და ჰეგელის ფილოსოფიამ. ჰეგელი შეეცადა აღმოეჩინა შინაგანი კავშირი კაცობრიობის ისტორიისათვის დამახასიათებელი უწყვეტი მორაობისა, ცვლილებებისა და გარდაქმნისა. სენ-სიმონის იდეა ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის როლის შესახებ აღიარეს ფრანგ. ანტავრაციის ეპოქის ფრანგმა ლიბერ.-ბურჟ. ისტორიკოსებმა ო. ტიერიმ, ფ. მიგიემ, ფ. გიზომ.

მარქსამდელმა მეცნ. ისტ. აზროვნებამ უმაღლესი განვითარება პოვა ისტ. რევ.-დემოკრ. კონცეფციაში. ბ. ბელინსკის, ა. ჰერცენის, ნ. დობროლიუბოვის, ნ. ჩერნიშევსკისა და სხვათა ისტ. შეხედულებებში ამოიხატა ისტ. შემეცნების მიახლოება ისტ. მატერიალ. გაგებასთან.

მარქსისტული ი-ის წარმოშობა. ისტ. შემეცნების მნიშვნელოვანი პროგრესის მიხედვით, მთელი მარქსამდელი ი-თვის დამახასიათებელი იყო საზ-ბის განვითარების ძირითად მიზეზთა იდეალისტური ახსნა. მას შემდეგ, რაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დიალექტ. მატერიალიზმი გავრცელეს საზ. მოვლენათა სფეროზე, ისტ. საფუძველი გახდა მეცნ. მეთოდოლოგია ისტორიის მატერიალ. გაგება გარდამავლის ეტაპი იყო საზ. ცხოვრების შემეცნების განვითარებაში. მარქსისტული ისტ. მეცნიერების განვითარებისათვის უდიდები მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქსის „კაპიტალს“, რ-ის გამოქვეყნების შემდეგ (1867) ისტორიის მატერიალ. გაგებამ მეცნ. ჰიპოთეზიდან გადაიქცა მკაცრ მეცნ. თეორიად. მარქსმა და ენგელსმა ფუძეველს დიალექტ.-მატერიალ. მეთოდის გამოყენების მაგალითი არა მარტო ზოგადფილოს. და ეკონ. პრობლემების, არამედ კონკრ. ისტ. პრობლემათა დამუშავების, რისაც. თავიანთ ნაშრომებში მათ სრულად გააშუქეს კაპიტალ. საზ-ბის, ბურჟ. ევოლუციების, მუშათა და ეროვნ.-განთ. მოძრაობის ისტორია; დაამუშავეს აგრეთვე კაპიტალისტურამდელი ფორმაციების ისტ. სხვადასხვა კარდინალური პრობლემა.

XIX ს. II ნახევრის ბურჟ. ისტ. მეცნიერებას დიდი წარმატებები ჰქონდა ფაქტების დაგროვებისა და დამუშავების, საკვლევო სამუშაოების დონის ამაღლების, ამხმარე ისტ. დისციპლინების განვითარების ისტ. წყაროების პუბლიკაციის დარგში. ისტ. გამოკვლევებში დაიწყეს შედარებით-ისტ. მეთოდის გამოყენება. დიდი პარმატებებით აღინიშნა ადამიანთა საზ-ის განვითარების ადრინდ. ეტაპების კვლევა (ლ. მორგანის, გ. მაურერის, თ. ემზენის ნაშრომები). მედიევისტიკის პრობლემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა დას. ევრ. ფეოდალიზაციის საკითხს. განგებო ყურადღება ექცეოდა თავისუფალი გლეხობისა და თემის გადამწყვეტ როლს ადრინდ. შუა საუკ. ეპოქაში. ახ. ნის ისტ. ბურჟ. მკვლევრები აქტუალურად თვლიდნენ ბურჟ. რევოლუციათა პრობლემების შესწავლას. აღნიშნული პეროდის ბურჟ. ი-ის განვითარებაზე ძლიერ გავლენას ახდენდა პოზიტივიზმი (ო. ენტი, ჰ. სპენსერი), რ-ისთვისაც დამახასიათებელი იყო ტრად. ი-ის კრიტიკა, ყურადღების გამახვილება ეკონ. და სოც. ისტორიისადმი. იგი უარყოფდა სპეკულაციურ მსჯელობებს ფაქტების დაგროვების სახებ, კრიტ. შემოწმებისა და „პოზიტიური“ ისტ. ფაქტების აღწერის სასარგებლოდ. ამ მხრივ პოზიტივისტური ეტაპი ი-ში წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბურჟ. ისტ. მეცნიერებისათვის. მაგრამ პოზიტივისტურ ი-ს ახასიათებდა აგრეთვე ისტ. კანონზომიერებათა იდეის მექან. განმარტება, ისტორიაში რევ. ნახტომთა უარყოფა და ევოლუციონიზმის ქადაგება, აგნოსტიციზმი ისტ. მოვლენათა არსისა და მიზეზთა ახსნაში. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ბურჟ. ი-ში გაჩნდა კრიზისის ნიშნები, რაც სოციალურად დაკავშირებული იყო იმპერიალიზმის ეპოქის დადგომასა და კაპიტალ. სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავებასთან, ხოლო გნოსეოლოგიურად — ისტ. პროცესისადმი პოზიტივისტური მიდგომის კრახთან. გრძელდებოდა ფაქტობრივი მასალის დაგროვება, რასაც ხელს უწყობდა ახ. არქეოლ. აღმოჩენები; წარმატებას მიაღწიეს ისტ. პროცესის ცალკეულ მხარეთა შესწავლაში, მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკისა და სოც. ურთიერთობათა პრობლემებს (მ. შ. ძვ. ისტ. დარგში — ე. მაიერი და სხვ.), განმტკიცდა ისტ. მეცნიერებისა და ისტ. განათლების ორგანიზაციული საფუძვლები, შეიქმნა ფუნდამენტური განმაზოგადებელი შრომები (მაგ., „კემბრიჯის ისტორია“, ე. ლავისისა და ა. რამბოს „მსოფლიო ისტორია“, „სოციალისტური ისტორია“ ჟ. ჟორესის რედაქციითა და მონაწილეობით და ა. შ.). ყოველივე ამასთან ერთად აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა რეაქციულ ტენდენციათა გაძლიერებას კონკრ. ისტორიოგრაფიული მუშაობის სფეროში. XIX—XX სს. მიჯნაზე წარმოიშვა ე. წ. „კრიტიკული“ მიმართულება, რ-მაც დაიწყო ლიბერ. ისტ. კონცეფციების გადასინჯვა. გაძლიერდა ისტორიის მოდერნიზაცია. კაპიტალ. წყობილების მარადიულობის დასამტკიცებლად ამ მიმართულების მიმდევრები კაპიტალიზმს ხედავდნენ ანტ. ხანაში (ე. მაიერი) და შუა საუკუნეებშიც (ა. დოფში). ბურჟ. ი-ში ფართო აღიარება პოვა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებში გარდამავალი ხანის „განუწყვეტლობის“ იდეამ (ნ. დ. ფიუსტელ დე კულანჟი). რუსეთში ბურჟ. ისტ. მეცნიერების კრიზისის გამოვლენა იყო რუსეთისა და დას. ევროპის ისტ. განვითარების პრინციპულად განსხვავებული გზების იდეის აღორძინება (პ. მილიუკოვის ნაშრომები), მეთოდოლოგიაში — ნეოკანტიანელთა შეხედულებების გავლენა და ა. შ.

მარქსისტულ ი-ში ლენინური ეტაპის დასაწყისი. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში გაბატონებულ ბურჟ. ი-თან ბრძოლაში განვითარდა მარქსისტული მიმართულება ი-ში. გ. პლეხანოვმა, ფ. მერინგმა, ა. ბებელმა, პ. ლაფარგმა, ჯ. კონოლიმ, ა. ლაბრიოლამ და სხვ. სერიოზული წვლილი შეიტანეს მუშათა მოძრაობის ისტორიის, კაპიტალიზმის, გლეხობისა და გლეხთა მოძრაობების, რევოლუციების, საზ. აზრისა და სხვ. პრობლემების მეცნ. დამუშავებაში. მარქსისტული ისტ. აზროვნების ახ. ეტაპის საწყისი გახდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები. ი-თვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ საზ. მეცნ. თეორ.-მეთოდოლ. საფუძვლების დამუშავებას — შემეცნების მატერიალ. თეორიის, დიალექტ.-მატერიალ. ისტორიზმის განვითარებას. ისტ. მოვლენათა შემეცნების შესაძლებლობის იდეის დაცვის, ისტ. მეცნიერებაში პარტიულობის პრინციპის წამოყენებას, ისტ. მოვლენათა შეფასებას კლასობრივი თვალსაზრისით.

მარქსისტული ი. საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში 1917 შემდეგ. რუსეთში დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციის გამარჯვებამ შექმნა პირობები იმისათვის, რომ მარქსისტული მიმდინარეობა ი-ში ისტ. მეცნიერების ძირითადი მიმართულება გამხდარიყო მთელ საბჭოეთში. საბჭ. ისტ. მეცნიერება ყალიბდებოდა ბურჟ.-მემამულური და მენშევიკური ისტ. კონცეფციების, ტროცკისტების, კაუციკიანელებისა და ისტ. სხვა დამმახინჯებელთა წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ იდეურ ბრძოლაში. საბჭ. ისტორიკოსების პირველი თაობის მიერ (ა. ადორატსკი, მ. პოკროვსკი, ე. იაროსლავსკი, ვ. ნევსკი, ნ. ბატურინი და სხვ.) სამამულო და მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემების კვლევა-ძიება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭ. მარქსისტული ი-ის ჩამოყალიბების პროცესში. მათ სერიოზულად გააკრიტიკეს ბურჟ. ი-ის ძირითადი თეორ. დებულებანი — ისტ. იდეალიზმის, პლურალიზმის, ისტ. წარსულის მოდერნიზაციის სხვადასხვა სახეობა. ისტ. აზრის განვითარების ახ. გზების ძიებამ ვიწრო ფაქტოგრაფიული ბაზის პირობებში საბჭ. ისტორიკოსების პირველი თაობის ნაწილი მიიყვანა ზოგიერთ მცდარ შეფასებამდე და დებულებამდე. ი-ში გაჩნდა სქემატიზმის, „ეკონომიური მატერიალიზმისა“ და ვულგარული სოციალიზმის ელემენტები. ყოველივე ეს გამოვლინდა 20-იანი წწ. ბოლოსა და 30-იანი წწ. დასაწყისში ისტორიკოს-მარქსისტების მიერ საზ.-ეკონ. ფორმაციებისა და „აზიური წარმოების წესის“, პირველყოფილი საზ-ბის, მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის შესახებ ჩატარებულ დისკუსიებში. 30-იანი წწ. შუა ხანებიდან დაიწყო საბჭ. ისტ. მეცნიერების განვითარების ახ. ეტაპი. პროფ. ოსტატობის ზრდამ, ისტორიკოს-მარქსისტთა კადრების მომზადებამ შესაძლებელი გახადა სამამულო და მსოფლიო ისტორიის მრავალი პრობლემის მონოგრაფიული დამუშავება. ისტ. გამოკვლევებში ცენტრ. ადგილი დაიკავა სოც.-ეკონ. ურთიერთობათა ისტორიის, უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობის შესწავლამ (ბ. გრეკოვის, ნ. დრუჟინინის, ს. სკაზკინისა და სხვათა ნაშრომები). ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მსოფლიო ისტ. პროცესის ერთიანობის, საზ-ბის განვითარების საერთო კანონზომიერებათა გამოვლენას, 50-იანი წწ. შუა პერიოდიდან გაფართოვდა საკვლევ პრობლემათა წრე. სამამულო ისტ. შესწავლის დარგში კვლევის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა საბჭ. საზ-ბის ისტორიაზე. უფრო აქტიურად დაიწყო მარქსიზმისა და ლენინიზმის ისტ., მსოფლიო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობათა ისტ. აქტუალურ პრობლემათა, სოციალ. თანამეგობრობის ქვეყნების ისტ., სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ისტ. დამუშავება. 60-იან წლებში კვლავ ჩატარდა დისკუსიები და განხილვები სოც.-ეკონ. ფორმაციებისა და „აზიური წარმოების წესის“ შესახებ რუსეთში, ევროპასა და აზიის ქვეყნებში ფეოდალიზმის გენეზისის, დას. ევროპასა და რუსეთში კაპიტალიზმის გენეზისის შესახებ და ა. შ. საბჭ. ისტ. მეცნიერებაში ჩამოყალიბდა მთელი რიგი კვლევითი მიმართულებანი, რ-ებიც გამოირჩევა გარკვეული სპეციფიკით ისტ. მნიშვნელოვან პრობლემათა დამუშავებაში (მაგ., მ. ტიხომიროვისა — ფეოდალიზმის ეპოქის რუს. ისტორიაში, ა. სიდოროვისა — რუს. იმპერიალიზმის ისტორიაში, ი. მინცისა — დიდი ოქტ. სოციალ. რევ. ისტორიაში, მ. ნეჩკასი — XIX ს. რუს. რევ. მოძრაობის ისტორიაში, ვ. სტრუვესი — ძვ. აღმოსავლეთის ისტორიაში და ა. შ.). სამამულო და მსოფლიო ისტორიის მარქსისტულ-ლენინურმა კონცეფციამ კონკრ. გამოხატულება პოვა ისეთ განმაზოგადებელ კოლექტ. ნაშრომებში, როგორიცაა 10-ტომიანი „მსოფლიო ისტორია“ (1955—66), 12-ტომიანი „სსრკ ისტორია“, 6-ტომიანი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია. 1941—1945“ (1963—65). გამოქვეყნდა 16-ტომიანი „საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია“ (1961—76) და ა. შ.

მსოფლიო სოციალ. სისტემის ჩამოყალიბებამ წინაპირობები შეუქმნა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გამარჯვებას

მრავალ ქვეყანაში. სოციალ. ქვეყნებში შეიქმნა განმაზოგადებელი ნაშრომები ბულგ., პოლ., ჩეხოსლ., რუმინ. და სხვ. ქვეყნების ისტორიის შესახებ. II მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში მარქსისტული ი-ის ხვ. წ. ზრდა, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოს-მარქსისტთა მიერ ისტ. უმნიშვნელოვანეს პრობლემათა კოლექტ. დამუშავება ახ. მოვლენებია მსოფლიო ი-ის განვითარებაში.

უახლესი ისტ. პერიოდი (განსაკუთრებით II მსოფლიო ომის შემდეგ) აღინიშნება ი-ის მარქსისტული მიმართულების მნიშვნელოვანი ზრდით მრავალ კაპიტალ. ქვეყანაშიც (საფრანგეთი, იტალია, აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვ.).

ბურჟუაზიული ი. 1917 შემდეგ. ამ პერიოდის ბურჟ. ი-ის ძირითადი ნიშნები გამოიხატა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლ. მიზანდასახულობაში, რელატივიზმისა და სუბიექტივიზმის გავრცელებაში, ისტ. კანონზომიერებათა უარყოფაში. ბურჟ. ი-ის განვითარებაში გამოიყოფა 2 პერიოდი: II მსოფლიო ომამდელი და ომის შემდგომი. პირველ პერიოდში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა I მსოფლიო ომში (1914—18) გამარჯვებული ქვეყნების — დიდი ბრიტ. და საფრ. — ი-ს; დიდ ბრიტანეთში ინტენსიურად განვითარდა ლეიბორისტული ი. კრიზისული მოვლენები ნათლად გამოიკვეთა რეაქციულ კონცეფციაში, რ-იც მსოფლიო ისტ. პროცესს განიხილავს როგორც ჩაკეტილ ცივილიზაციათა განვითარებასა და ცვლას (ა. ჯ. ტოინბი), აგრეთვე ეროვნ. ისტ. ტრადიციული ლიბერ. კონცეფციების ფართო რევიზიაში (ლ. ნემირი). ფრანგულ ი-ში დიდი მოვლენა იყო „რობესპიერისტულ გამოკვლევათა საზოგადოების" მოღვაწეობა (ა. მატიეზი, ჟ. ლეფებვრი). აშშ-ში ფართოდ განვითარდა ბურჟ. ეკონომიზმი (ჩ. ბირდი და მისი სკოლა); გერმანიაში ტრად. „ისტორიზმმა" ადგილი დაუთმო რელატივიზმს, ხოლო შემდეგ — ნაცისტურ „რიხმების თეორიას" საზ განვითარებაში. II მსოფლიო ომის შემდეგ ბურჟ. ი-ში გაღრმავდა კრიზისის ნიშნები, სოციალიზმის ქვეყნებსა და თვით კაპიტალ. სახელმწიფოებში მარქსისტულ-ლენინური ი-ის განვითარებამ ისტორიკოსთა წრეებში გამოიწვია ფენებად დაყოფა. მსოფლიო ი-ის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია იმ მეცნ. შედეგებისა და მეთოდების ფართო დანერგვა, რ-ებიც მიღწეულია მომიჯნავე სამეცნ. დისციპლინებში — სოციოლოგიაში, ეკონომიკაში, დემოგრაფიაში, სოც. ფსიქოლოგიაში. მაგრამ ხშირად იგი ითვისებს ბურჟ. სოციოლოგიაში და სხვ. მომიჯნავე დისციპლინებში გაბატონებულ რეაქციულ თეორიებსაც, ხდება ისტ. სინთეზის განხორციელება იდეალისტური მეთოდოლოგიის ჩარჩოებში. ისტ. ცოდნის „სტრუქტურალიზაცია" და „მათემატიზაცია" თანამედროვე ბურჟ. ი-ის კრიზისის გაღრმავების კიდევ ერთი დადასტურებაა. თანდათან იზრდება მარქსიზმის გავლენა ბურჟ. ი-ზე. ისტორიკოსთა პროგრ. ნაწილი დიდ ისტ. პრობლემათა გაშუქებისას მარქსისტულ პოზიციებზე გადადის; ყურადღება ექცევა იმ საკითხებსა და ასპექტებს, რ-ებიც წინათ უგულებელყოფილი იყო „აკადემიური" მეცნიერების მიერ.

ბოლო წლებში დაწინაურდა აშშ-ის ი. გაჩნდა „ნეოლიბერალიზმის" მიმდინარეობა, რ-ის წარმომადგენლები (ა. შლეზინგერ-უმცროსი, რ. ჰოფსტაიდერი) ამერ. კაპიტალიზმს განიხილავენ როგორც დინამ. სისტემას.

კოლონიური და ნახევრად კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ი. უახლესი პერიოდის მსოფლიო ი-ის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ეროვნ. ი-ის განვითარება ამ ქვეყნებში, რაც მჭიდროდ დაუკავშირდა ერებისა და ხალხების ჩამოყალიბებას, ეროვნ. თვითშეგნების ზრდას, ისტ. ტრადიციათა ფესვების ძიებას. ეროვნ. ი-ში ახლა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახ. და უახლეს პერიოდებში განმათ. მოძრაობის ისტორიას, ეროვნ.-განმათ. რევოლუციათა ისტორიას, თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

აზიის, აფრიკისა და ლათ. ამერ. ქვეყნებში შეიქმნა ისტორიკოსთა ახალგაზრდა ეროვნ. სკოლები, რ-ებიც წმინდა პოლიტ. ისტორიის გარდა დაინტერესებული არიან ფართო თემატიკით (კულტურის ისტორია, სოც. და ეკონ. ისტორიის პრობლემები და სხვ.). ამ ქვეყნების ეროვნ. ანტიიმპერიალ. ი. ზოგჯერ ბურჟ. ევროპოცენტრიზმს უპირისპირებს „თავისი კონტინენტის", „თავისი ქვეყნის" როლის გაზვიადებას მსოფლიო ისტორიაში (ე. წ. „აზიოცენტრიზმის" მომხრენი), რასაც გმობენ მეცნიერ-მარქსისტები. აზიის, აფრიკისა და ლათ. ამერ. ქვეყნების ი-ზე საგრძნობ გავლენას ახდენს სოციალ. ქვეყნების მარქსისტული ისტ. მეცნიერება.

ი. როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინა. მარქსისტულ ლენინურ ი-ს ახასიათებს კვლევის შემდეგი ძირითადი ასპექტები:

1. ისტ. შემეცნების სოც. საფუძვლის გარკვევა მისი განვითარების ყოველ ეტაპზე, მისი სოც. ფუნქციების განსაზღვრა სხვადასხვა ეპოქაში; ისტ. კონცეფციათა შესწავლის აუცილებლობა იმ ეპოქის საზ.-პოლიტ. ცხოვრებასთან ორგ. კავშირში, როდესაც ყალიბდებოდა ეს კონცეფციები,

2. ისტ. აზროვნების ყოველი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი თეორ.-მეთოდოლ. პრინციპების შესწავლა. ამისათვის საჭიროა კავშირების გამოვლენა, ერთი მხრივ, ისტ. მეცნიერებასა და, მეორე მხრივ, ფილოსოფიას, სოციოლოგიას, პოლიტეკონომიას, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიებს, ბუნებისმეტყველების დარგებს შორის.

3. ისტ. ნაშრომთა წყაროთმცოდნეობითი ბაზის, წყაროთა გამოყენების ხასიათის, კვლევის კონკრ. მეთოდიკის ანალიზი. ამ ასპექტით ი-ის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა გაშუქდეს კვლევის მეთოდების თავისებურება. განისაზღვროს თითოეული სკოლის ადგილი ისტ. ფაქტების დადგენასა და სისტემატიზაციაში.

4. ისტ. გამოკვლევათა პრობლემატიკის, მისი განვითარებისა და გაფართოების ანალიზი, როგორც უმნიშვნელოვანესი გამოვლინება ისტ. შემეცნების პროგრესისა.

5. ისტ. აზროვნების სკოლებისა და სხვადასხვა მიმდინარეობის მიერ შექმნილი ისტ. კონცეფციების გამოკვლევა, რაც საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ დრომოჭმულ ისტ. წარმოდგენათა დაძლევის პროცესს, გავარკვიოთ მემკვიდრეობითობის როლი ისტ. მეცნიერების განვითარებაში.

6. ისტ. დარგში კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ფორმის შესწავლა. კადრების მომზადების, საგამომცემლო საქმიანობის, ისტ. კონცეფციათა გამოყენებისა და პროპაგანდის ფორმების საკითხები და ა. შ.

ისტორიოგრაფიული კვლევის სხვადასხვა ასპექტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თანამედროვე პირობებში ისტორიოგრაფიულ პრობლემათა შესწავლა ყოველი მკვლევრისაგან მოითხოვს ზოგადისტ. კულტურის მაღალ დონეს, კონკრ.-ისტ. მასალის კარგ ცოდნას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებას. ყოველივე ამის გარეშე უაზრობაა ისტ. მეცნიერების ისტორიის თანამიმდევრული მეცნ. შემეცნება.

ლიტ.: Историография новой и новейшей истории стран Европы и Америки, М., 1968; Косминский Е. А., Историография средних веков..., [М.], 1963; Очерки истории исторической науки в СССР, т. 1—4, М., 1955—56.

ქართულ ისტორიოგრაფიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ახ. წ. I—II სს. განეკუთვნება ქართლის (იბერიის) სამეფოს დიდმოხელეთა უცხოენოვანი წარწერები (ნაპოვნია მცხეთა-არმაზში), რ-ებიც ამ ეპოქის შესახებ ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდიან შორეული წარსულიდან (გვიანდ. ჩანაწერების სახით) ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ხალხ. თქმულებათა ფრაგმენტებმა ამა თუ იმ ისტ. პირის შესახებ (თქმულებები მეფე ფარნავაზზე, მეფე ფარსმანზე და სხვ., რ-ებიც *„ქართლის ცხოვრებაში"* დაცული). ანტ. ხანიდან მომდინარეობს ადრინდ. შუა საუკ. წერილობით ძეგლებში (*„მოქცევაჲ ქართლისაჲ"*) ფიქსირებული ძვ. ქართლის მეფეთა სიები.

უძველესი ქართ. წარწერები თარიღდება V ს. (ბოლნისის სიონის წარწერა), პალესტინის უძველესი ქართ. წარწერები), V ს-იდან გვაქვს აგრეთვე ქართ. ი-ის უძველესი ძეგლები, რ-ებიც უმეტესწილად ჰაგიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ქართველ ფეოდ. ი-ის უძველესი ძეგლია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება" (V ს.), რ-შიც უხვი ცნობებია იმ დროის აღმ. საქართვ. საზ. წყობილების, ეკონ., პოლიტ. და კულტ. მდგომარეობის შესახებ. ეს ძეგლი შეიცავს საინტერესო ყოფაცხოვრებით რეალიებსაც. VI ს. ქართლში არსებულ ვითარებაა ასახული „ევსტათი მცხეთელის წამებაში". საქართველოს მდგომარეობას არაბთა ბატონობის ხანაში გვისურათებს იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება" (786—790). ასეთივე ხასიათის თხზულებებია „კოსტანტი კახის მარტვილობა" (IX ს.), სტეფანე მტბევარის „გობრონის წამება" (X ს.) და სხვ. საქართვ. გაერთიანებისათვის ბრძოლის ეპოქის ტაო-კლარჯეთში არსებული სოც.-პოლიტ. და კულტ. ვითარების გასაცნობად უპირველესი მნიშვნელობის ძეგლია გიორგი მერჩულეს (X ს.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", აგრეთვე ამავე საუკუნის ავტორის ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". აღნიშნული თხზულებანი შეიცავს საყურადღებო ცნობებს ამ დროს მიმდინარე კლასობრივი ბრძოლების შესახებაც მსხვილ მიწისმფლობელებსა და დაბმეცების საფრთხის წინაშე მდგომ მეთემეებს შორის.

ადრინდ. შუა საუკუნეებში შეადგინეს ისტ. თხზულებათა პირველი კრებულებიც, მაგ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს" ქრონიკა (VII ს.), რ-შიც თავი მოიყარა მოთხრობებმა ქართველთა განმანათლებელ ნინოზე, მასში დაცულია ადრინდ. ხანის აგრეთვე გაქრისტიანების მომდევნო პერიოდის მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა სიები და მოკლე ცნობები მათ საქმიანობაზე. VIII—IX სს-ში უნდა იყოს შექმნილი საისტ. თხზ. კრებული „ქართლის ცხოვრება", რ-მაც მომდევნო პერიოდში არაერთი ცვლილება განიცადა. „ქართლის ცხოვრებაში" შესულ თხზულებებს („მეფეთა ცხოვრება", „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" და სხვ.) მკაფიო ინდივიდუალობის ელფერი აზის, თუმცა ყველა მათგანისათვის საერთოა სამეფო ხელისუფლების აპოლოგია და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ფეოდ. არისტოკრატიის პარტიკულარულ მისწრაფებათა მიმართ. ეს ტენდენცია ახასიათებს ი თხზულებებსაც, რ-ებიც შემდეგში შეეტანეს ამ კრებულში [„მატიანე ქართლისაჲ", (XI ს.), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის (XII ს.), თამარის ისტორიკოსების (XII—XIII სს.), ჟამთაააღმწერლის (XIV ს.) თხზულებები და სხვ.]. ამ თხზულებათა ავტორები ძირითადად პოლიტ. ისტ. ამბებს მოგვითხრობენ. თავისი პოლიტ. იდეების გადმოსაცემად ისინი ხშირად სარგებლობენ ანტ. საისტ. ლიტ-რიდან ნასესხები რიტორიკული ხერხებით დ

ადგილ. საისტ. (წერილობით თუ ზეპირ) ტრადიციასთან ერთად ფართოდ იყენებენ ეცხოურ — ბერძნ.-ბიზანტ., სომხ. და მა-ადიანურ საისტ. ლიტ-რას. ზოგიერთი ამ თხზულებათაგან საინტერესო მასალას ეცავს არა მარტო საქართველოს, არა-ედ მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების (ირანი, მონღოლები) ისტორიის შესასწავ-ლად. „ჟამთააღმწერელმა" უფრო მაღალ დონეზე აიყვანა ქართ. ი., იგი ფართოდ ესარგებლობდა სახელმწ. დოკუმენტებით, ასარს. და მონღ. წყაროებით, აანალიზებდა ათ და ამ გზით ადგენდა ისტ. ფაქტებს. XV—XVI სს-ში შეიქმნა ცალკეული ფეოდ. ენიორიებისადმი მიძღვნილი საისტ. თხზუ-ებანი: „ძეგლი ერისთავთა" (XV ს.), *„მეხუთური დავითნის ქრონიკა"* (XVI ს.). XVII ს-იდან იწყება ქართ. ი-ის ახ. აღ-ავლობა. ფარსადან *გორგიჯანიძის* თხზუ-ება, რ-შიც ფართოდ არის გამოყენებუ-ული სპარს. წყაროები, საყურადღებოა XVII . საქართველოსა და ირანის ისტორიისა-ვისაც.

XVIII ს-ში ვახტანგ VI-ის „სწავლულ აცთა კომისიამ" დიდი მუშაობა გასწია ყაროების მოძიებაზე და „ქართლის ცხოვ-ების" რედაქტირებასა და შევსებაზე. ღსანიშნავია ამ კომისიის მისწრაფება, არმოედგინათ საქართვ. ისტორია რო-ორც ერთი მთლიანი ქვეყნის ისტორია. XVIII ს. ყველაზე გამოჩენილი ქართვ. ის-ორიკოსი და გეოგრაფოსი იყო *ვახუშტი ატონიშვილი* (ბაგრატიონი). XVII—XVIII ს. საქართვ. ისტ. საკითხები განხილუ-ი აქვთ ისტორიკოსებს ს. ჩხეიძეს, პ. ორ-ელიანს, ო. მდივანბეგ-ხერხეულიძეს. XIX . I ნახევარში რუსეთში მოღვაწე ქართვ. ატონიშვილებმა არა ერთი ნაშრომი შეს-ინეს ქართ. ი-ს (დავით ბატონიშვილი, ეიმურაზ ბატონიშვილი). მათ გარკვეუ-ი წვლილი შეიტანეს აგრეთვე პეტერბურ-ში მძლავრი ქართველოლოგიური კერის ექმნაში, კერძოდ, დიდად შეუწყვეს ხე-ი ფრანგი მეცნიერის მარი *ბროსეს* მუ-აობას საქართვ. ისტ. დარგში. მ. ბროსემ ამოაქვეყნა და თარგმნა ფრანგულად თელი რიგი ქართ. საისტ. წყაროები (მ. „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტის ეოგრაფია") და ბევრი სასარგებლო გა-ოკვლევა დატოვა საქართვ. ისტ. დარგში. IX ს. ქართული ისტორიოგრაფია გაამ-იდრა მრავალრიცხოვანი შრომებით პ. *ოსელიანმა*.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ემდეგ ახ. ეტაპი იწყება ქართ. ი-ის გან-ითარებაში. სულ უფრო და უფრო იგრ-ძობა რუს. დემოკრ. ინტელიგენციის გავ-ენა ქართ. საისტ. აზრის განვითარებაზე. უს. რევ.-დემოკრ. იდეოლოგიის მძლავ-ი ზემოქმედებით ჩამოყალიბდა ქართვ. ამოციანელების („თერგდალეულთა") ეოფლმხედველობა. თავის მხრივ, სამო-ციანელებმა დიდი გავლენა მოახდინეს ისტ. აზრის განვითარებაზე საქართველ-ოში. მაშინ, როდესაც პროფესიონალი ტორიკოსების ერთი ნაწილი იდგა კლერ. ოდ. პოზიციებზე, უარყოფდა ძვ. სა-ართველოში კლასობრივი ბრძოლის არ-ბობას და საქართვ. ისტორიას „ქართ-ის ცხოვრების" სქემის მიხედვით წარ-ადგენდა. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის �ეურებმა (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, წერეთელი და სხვ.) თავისი ახლებური ხედულებებით წინ წასწიეს საქართვ. ტორიის მეცნ. გააზრების საქმე.

XIX ს. II ნახ. ქართ. ი-ში მძლავრად რძნობა რუს. საუნივერსიტეტო ისტ. მეცნ-ერების გავლენა მისთვის დამახასიათებ-ელი ლიბერ.-ჰუმანისტური მიმართულე-ბით და იდეალ. კონცეფციებით. ქართ. ი-ში ას იკვლევს, ერთი მხრივ, ბურჟ. პოზი-ციზმი და, მეორე მხრივ, ვულგარული ინომიზმი. ამ პერიოდის ყველაზე თვალ-საჩინო ქართვ. ისტორიკოსია დ. *ბაქრაძე*.

XIX ს. 80—90-იან წლებში საისტ. მეცნ. ასპარეზზე გამოვიდნენ მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი, დ. კარიჭაშვილი და სხვ., რ-თაც შემ-დეგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართვ. ისტ. შესწავლაში (განსაკუთრებ-ით პირველხარისხოვანი საისტ. წყაროების პუბლიკაციით).

XIX—XX სს. მიჯნაზე რუს. საზ. ცხოვ-რებაში მომხდარმა ძვრებმა გავლენა მოახ-დინეს ქართ. ი-ზეც. ქართვ. მარქსისტების, (ი. სტალინი, ა. წულუკიძე და სხვ.) თეორ. ნაშრომებმა საფუძველი შეუქმნეს ქართ. ი-ის ახ., მარქსისტულ-ლენინურ ეტაპს.

მიუხედავად ამისა, ქართ. პროფ. ი. XX ს. რევოლუციამდელ პერიოდში შორს იდგა მარქსიზმისაგან. ეს ითქმის ამ დროს პეტერბ. უნ-ტში მოღვაწე დიდ ქართვ. ისტორიკოს ი. *ჯავახიშვილზეც*, რ-მაც საქართვ. ისტ. მასალაზე ტიტანური შრო-მით და მისი გამომზეურება-ანალიზით მყარი მეცნ. საფუძველი დაუმკვიდრა ქართ. საისტ. მეცნიერებას და მის განვითარება-ში ახ. ეტაპის შემქმნელი გახდა.

საბჭ. ხელისუფლების წლებში საქართვ. ისტ. მეცნ. შესწავლის ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. თბილ. უნ-ტისა და სა-ქართვ. სახელმწ. მუზეუმის გვერდით აღ-მოცენდა აკად. ინ-ტები ისტორია-არქეო-ლოგია-ეთნოგრაფიის დარგში. ისინი ფარ-თო მასშტაბის ბუშაობას ეწევიან ქვეყნის ისტ. და კულტურის შესასწავლად. გაიშა-ლა არქეოლ. კვლევა-ძიება, დიდი მუშაობა ჩატარდა საარქივო მასალისა და ძვ. ხელ-ნაწერების შესაკრებად და შესასწავლად, მომზადდა მრავალრიცხოვანი სამეცნ. კად-რები. საისტ. კვლევა-ძიება ახ. საფეხურზე აიყვანა ისტორიკოსთა სახელმძღვანელო მეთოდოლოგიად მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დანერგვამ. სა-ქართველოს ძვ. და ფეოდ. ხანის ისტ. სფე-როში ეს მისია შეასრულეს გამოჩენილმა ქართვ. ისტორიკოსებმა ს. *ჯანაშიამ* და ნ. *ბერძენიშვილმა*. წყაროთმცოდნეობითი ბაზის დიდად გაფართოებამ და მასალის მარქსისტულ-ლენინურმა გააზრებამ შე-საძლებელი გახადა არსებული ხარვეზების ამოვსება და უძველესი დროიდან დღემდე ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე ისტ. პროცესის მეცნიერულად გამართული კონ-ცეფციის შემუშავება. ახალგამოვლენილი არქეოლ. მასალის საფუძველზე შესწავ-ლილ იქნა ქვის ხანის (გ. ნიორაძე, ა. კა-ლანდაძე, ნ. ბერძენიშვილი, დ. თუშაბრა-მიშვილი, ლ. ნებიერიძე და სხვ.), ენეო-ლითის (ტ. ჩუბინიშვილი, ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი), ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (მტკვარ-არაქსის კულტურის), (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახი-შვილი, ტ. ჩუბინიშვილი და სხვ.), შუა ბრინჯაოსა და გვიანდ. ბრინჯაო-ად-რინდ. რკინის ხანის (ბ. კუფტინი, გ. გო-ბეჯიშვილი, ა. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე, კ. ფიცხელაური, რ. აბრამიშვილი, ტ. ჩუ-ბინიშვილი და სხვ.), ანტ. ხანის (ა. აფა-ქიძე, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ი. გაგოშიძე და სხვ.), ფეოდ. ხანის (გ. ლომთათიძე, ვ. ჯაფარიძე და სხვ.) სა-ქართვ. მოსახლ. ეკონ. ცხოვრების, სოც. ორგანიზაციის, მატერ. და სულიერი კულ-ტურის არა ერთი ასპექტი. ჩატარებული მუშაობა საშუალებას იძლევა თვალი გა-ვადევნოთ საქართვ. ტერიტორიაზე გვა-როვნ. საზ-ბის ჩამოყალიბების, მისი ზრდა-განვითარებისა და დაშლის პროცესს. მკვლევართა თვალწინ გადაიშალა კულტ. განვითარების უწყვეტი ჯაჭვი, რაც ლინ-გვისტური კვლევა-ძიების მონაცემებთან ერთად უარყოფს ადრე გავრცელებულ მო-საზრებებს კავკ. მოსახლ. ეთნ. შემადგენ-ლობის ერთიანი შეცვლის შესახებ და ქართვ. და სხვ. კავკ. ტომების უძველეს სამშობლოდ კავკასიისავე მიწა-წყალს გვა-ვარაუდებინებს. არქეოლ. მასალისა და ძვ. აღმოსავლური წყაროების საფუძველ-ზე მოხერხდა საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ. III—II ათასწლეულებიდან დიდი ტომთა კავშირებისა და ადრინდ. კლასობ-რივი სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის გადევნება.

ს. ჯანაშიას მიერ წერილობითი წყა-როების გონებამახვილური ანალიზის შე-დეგად აშკარა გახდა უკვე ანტ. ხანაში არ-სებული ქართ. გაერთიანებების (იბერია, კოლხეთი) კლასობრივი ხასიათი. ეს უძ-ველესი კლასობრივი საზ-ბები ერთხანს მონათმფლობელურად მიაჩნდათ (ს. ჯანა-შია და სხვ.), შემდეგში კი სტადიურად—ადრინდ. კლასობრივად, ხოლო ტიპოლო-გიურად — „წინაფეოდალურად" (გ. მე-ლიქიშვილი). აღნიშნული პოლიტ. წარ-მოქმნების ბუნების გაგებაში ბევრი სიახ-ლე შეიტანა გ. წერეთლის ნაშრომებმა, რ-ებიც მცხეთაში აღმოჩენილი უძველესი წარწერების ინტერპრეტაციისადმი არის მიძღვნილი. საქართვ. ისტ. საკითხებს მიუძღვნა მრავალი გამოკვლევა ს. კაკაბა-ძემ. ანტ. და შუა საუკ. საქართველოს ისტ. შესწავლას დიდად შეუწყო ხელი საქართ-ველოს შესახებ ამ პერიოდის უცხოური (ბერძნ.-ლათ., აღმოსავლური) წყაროე-ბის ცნობების პუბლიკაციამ (ს. ყაუხჩი-შვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ა. გამყრელიძე, თ. მიქელაძე, ნ. ლომოური, ნ. ჯეჯაგმაძე, ა. ურუშაძე, ს. ჯიქია, ვ. ფუთურიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ი. აბულაძე, ნ. ჯანაშია, ნ. ცაგარეიშვილი, გ. ფუთურიძე, ნ. შენ-გელია, ც. აბულაძე და სხვ.). ინტენსიურად სწავლობდნენ საკუთრივ ქართ. წყაროებ-საც (ს. ყაუხჩიშვილი, შ. მესხია, კ. გრი-გოლია და სხვ.).

საქართველოში ფეოდ. ურთიერთობათა გენეზისის მწყობრი კონცეფცია შეიმუშავა ს. ჯანაშიამ. გამოქვეყნდა ნაშრომები ადრინდ. ფეოდ. ხანის ისტორიის საკითხებზე (მ. ლორთქიფანიძე, ა. ბოგ-ვერაძე, ზ. ალექსიძე, შ. ბადრიძე და სხვ.); არა ერთი გამოკვლევა მიეძღვნა ერთიანი ქართ. ფეოდ. მონარქიის სოც.-ეკონ. და სახელმწიფოებრივი წყობილების, ისევე როგორც საშინაო და საგარეო პოლიტ. ვითარების საკითხებს (შ. მესხია, რ. მეტ-რეველი, ნ. შოშიაშვილი, მამ. ბერძნიშ-ვილი და სხვ.). ბევრი რამ გაკეთდა მონ-ღოლების შემოსევის შემდეგ დაშლილ-დაქუცმაცებული საქართვ. სოც.-ეკონ. წყო-ბილების შესასწავლად (ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, დ. გვრიტიშვილი, ვ. გუჩუა, ო. სოსელია, გ. ჯამბარია, ბ. ლო-მინაძე, ქ. ჩხატარაიშვილი, დ. მეგრელაძე, კ. ტაბატაძე, დ. კაციტაძე, ბ. სილაგაძე, გ. აკოფაშვილი, ნ. ასათიანი და სხვ.). ფეო-დ. საქართვ. ქ-ების ისტორია და მასთან დაკავშირებული ქვეყნის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის მრავალი საკითხი შესწავლილია შ. მესხიას ნაშრომებში. მნიშვნელოვანი კვლევა იქნა ჩატარებული ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძო-ლების შესწავლის მიზნით. დიდია ვ. გა-ბაშვილის დამსახურება გვიანდ. შუა საუ-კუნეებში ქართ. და აღმოსავლური ფეოდ. წყობილების შედარებითი შესწავლის საქ-მეში. ფეოდ. ურთიერთობათა სისტემაში ქრისტ. ეკლესიისა და საეკლ. მიწათმფლო-ბელობის როლს არა ერთი გამოკვლევა უძღვნა ბ. ლომინაძემ. საქართვ. საისტ. გეოგრ. საკითხები დამუშავებულია ნ. ბერძენიშვილის, დ. მუსხელიშვილისა და სხვ. ნაშრომებში. შუა საუკუნეების მან-ძილზე სხვა ხალხებთან ქართვ. ხალხის ეკონ., პოლიტ. და კულტ. ურთიერთობის შესასწავლად დიდი მუშაობა აქვთ გაწე-ული ქართველ მეცნიერებს (რუსეთთან ურ-თიერთობას ეხებიან მ. პოლიევექტოვი, ნ.ბერ-ძენიშვილი, პ. გუგუშვილი, ვ. დონდუა, ი. ცინცაძე, გ. პაიჭაძე და სხვ.; ევროპასთან ურთიერთობას—ვ. გაბაშვილი, გ. ჟორდა-ნია, ი. ტაბაღუა, ბ. გიორგაძე; აღმოსავ-ლეთის ქვეყნებთან — ვ. გაბაშვილი, რ. კიკნაძე, მ. სვანიძე, გ. ფუთურიძე, შ. ლომსაძე და სხვ.).

დაწინაურდა აფხ. და ოსი ხალხის ისტ. მეცნ. დამუშავება. გამოქვეყნდა აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები. მნიშვნელოვანია ზ. ანჩაბაძის მონოგრაფიები აფხ. ძვ. და შუა საუკუნეების, გ. ძიძარიასი—ახ. და უახლესი ისტ. დარგში. ინტენსიურად მუშავდება საქართვ. ახ. და უახლესი (XIX—XX სს.) ისტორიის საკითხები. სწავლობენ რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებით შედეგებს, კაპიტალიზმის განვითარებას მრეწველობასა და სოფ. მეურნეობაში, ცარიზმის კოლონ. პოლიტიკას, ეროვნ.-განმათ. მოძრაობას, გლეხთა აჯანყებებს და სხვ. საზ.-პოლიტ. გამოსვლებს, საზ.-პოლიტ. მოძრაობათა და საზ. აზრის განვითარების საკითხებს (ფ. მახარაძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ხუნდაძე, გ. ხაჭაპურიძე, პ. გუგუშვილი, გ. გოზალიშვილი, შ. ჩხეტია, ა. ფირცხალაიშვილი, მაქს. ბერძნიშვილი, ტ. ხუნდაძე, ირ. ანთელავა, ა. სურგულაძე, პ. რატიანი, მ. დუმბაძე, ნ. მახარაძე, ა. კიკვიძე, ზ. ანჩაბაძე, ა. ბენდიანიშვილი, გ. მარგიანი, ე. ორჯონიკიძე, შ. ხანთაძე, ედ. ხოშტარია, დ. გოგოლაძე და სხვ.). საყურადღებო გამოკვლევები მიეძღვნა საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და რევ. მოძრაობის ისტორიას (გ. ხაჭაპურიძე, ლ. გორგილაძე, ა. სურგულაძე, ნ. სტურუა, ნ. მახარაძე, გ. ყვანია და სხვ.), ინტენსიურად შეისწავლება საბჭ. საქართველოს ისტორია (გ. ხაჭაპურიძე, ნ. მახარაძე, ი. კაჭარავა, ნ. სტურუა, ა. კოჭლავაშვილი, მ. ნათმელაძე, ს. ჩხარტიშვილი და სხვ.), შეიქმნა რიგი განმაზოგადებელი ნაშრომები. მ. შ. უნდა აღინიშნოს ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას „საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელო და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" 8-ტომეული. ნაყოფიერი კვლევა მიმდინარეობდა რესპ. პარტ. ორგანიზაციების ისტორიაში — გამოქვეყნდა „საქართველოს კპ ისტორია" 2 ტომად და მრავალი მონოგრაფიული ნაშრომი. გამოქვეყნებულია მონოგრაფიული ნაშრომები ეთნოგრაფიაში (გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ა. რობაქიძე, რ. ხარაძე, მ. გეგეშიძე), ნუმიზმატიკაში (დ. კაპანაძე, თ. ლომოური). ქართვ. ისტორიკოსებმა ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე ევროპის ქვეყნებისა (გ. ნათაძე, ა. ნამორაძე, გ. ყორდანია, გ. კიღურაძე, ი. ტაბაღუა და სხვ.) და ახლო აღმოსავლეთის ისტ. დარგში (ვ. გაბაშვილი, გ. გიორგაძე, გ. მელიქიშვილი, ე. მენაბდე და სხვ.).

ლიტ.: ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითადი მიღწევები, თბ., 1978.

გ. მელიქიშვილი.

ისტორიული განათლება სსრ კავშირში, ისტორიის დარგში სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემა. ზოგად ი. გ-ს იძლევა საშ. ზოგადსაგანმან. სკოლები, საშ. სპეც. სასწავლებლები, სადაც შეისწავლიან ძვ. მსოფლიოს, შუა. საუკ., ახ. და უახლეს, სსრკ ისტორიას და საზოგადოებათმცოდნეობის საფუძვლებს. XX ს. 30-იან წლებში შეიქმნა თანამედროვე ი. გ-ის სისტემა. 1978 ი. გ-ს ეუფლებოდნენ ქვეყნის 150-ზე მეტ უნ-ტსა და პედ. ინ-ტში. ისტ. სასწ. გეგმები ითვალისწინებს სსრკ ისტ., არქეოლ., მსოფლიო (ძვ. სამყაროს, შუა საუკ., ახ. და უახლესი, სამხრ. და დას. სლავების, აზიის, აფრიკის, ლათ. ამერიკის) ისტ. კურსების შესწავლას, აგრეთვე წყაროთმცოდნეობის, ისტორიოგრაფიის, სკკპ-ის, ფილოს., რელიგ. და ათეიზმის, ხელოვნ. ისტ., პედ., ფსიქოლ., ისტ. და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მეთოდიკის, უცხო ენის შესწავლას. უნ-ტებში სასწ. დროის 20% ეთმობა სპეციალიზაციას (სსრ კავშირის ისტორია, მსოფლიო ისტორია, არქეოლოგია, მუზეუმთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ეთნოგრაფია, რელიგ. და მეცნ. ათეიზმის, ცალკეული ქვეყნების ისტორია), პედ. ინ-ტებში ი. გ-ს იღებენ სპეციალიზაციის გარეშე. სასწ. და საწარმოო პრაქტიკას სტუდენტები გადიან სკოლებში, არქეოლ. და ეთნოგრ. ექსპედიციებში, მუზეუმებში, არქივებში. ერევნის, ტაშკენტის, თბილ., შორეული აღმოსავლეთის (ვლადივოსტოკი) უნ-ტებში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტებზე და მოსკ. უნ-ტის აღმოსავლური ენების ინ-ტში ამზადებენ აზიისა და აფრ. ქვეყანათმცოდნეობის ისტორიკოს-სპეციალისტებს. მოსკ., ლენინგრ., თბილ. და ურალის (სვერდლოვსკი) უნ-ტებში იღებენ სპეციალიზაციას ხელოვნ. ისტ. განხრითაც.

ისტორიკოსების სამეცნ. და სამეცნ.-პედ. კადრებს ამზადებენ უმაღლესი სასწავლებლების, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების, სკკპ ცკ-თან არსებული საზ. მეცნ. აკად. ასპირანტურაში.

სხვადასხვა დარგის (სახ. მეურნ., ეკონ. მოძღვრებათა, სახელმწიფოსა და სამართლის, ფილოს., მეცნ. და ტექ., ხელოვნ. და სხვ.) ისტორიას ასწავლიან სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სათანადო ფაკტებზე; სსრკ ყველა უმაღლესი სასწავლებლის სასწ. პროგრამის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სკკპ ისტ., ფილოს., პოლიტეკონ. და მეცნ. კომუნიზმის კურსები.

საქართველოში საქართვ. ისტ. არსებითი, სისტემატიზებული გამოკვლევა ეკუთვნის ი. ჯავახიშვილს; მანვე შეიმუშავა თბილ. სახელმწ. უნ-ტში (1918, დაარსების პირველი დღეებიდანვე) ი. გ-ის სისტემა. ქართ. საბჭ. ი. გ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, შ. მესხიამ და სხვ.

ისტორიული გეოგრაფია, შეისწავლის ამა თუ იმ ქვეყნის ან ტერიტორიის ფიზიკურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიას ისტორიულ წარსულში. მისი მიზანია დაადგინოს ამა თუ იმ ქვეყნის ძვ. საზღვრები, პოლიტ.-ადმ. დაყოფა, ძვ. ქალაქებისა და სოფლების მდებარეობა, გზათა ქსელი, ციხესიმაგრეთა და საკულტო ნაგებობათა განლაგება და მოქმედების არე, მეურნ. მდგომარეობა, ხალხთა მიგრაცია, ამბოხებანი, ლაშქრობათა გზები, სავაჭრო და კულტ. კავშირები მეზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე ადამიანის ზეგავლენა ბუნებაზე (ტყის გაკაფვა, გზებისა და არხების გაყვანა) და, პირიქით, ბუნებრივი მოვლენების (მიწისძვრა, კლიმატის ცვალებადობა, ნაყალდიდობა და სხვ.) ზეგავლენა ადამიანის ყოფაზე. ი. გ. ემყარება კარტოგრაფიულ, წერილობითსა და არქეოლ. წყაროებს, ტოპონიმიკას და საფუძველს უმზადებს ისტ. რუკების შედგენას.

ი. გ-ის ჩამოყალიბება დაიწყო აღორძინებისა და დიდი გეოგრ. აღმოჩენების ეპოქაში (XV—XVI სს.). მნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში შეასრულა ფლამანდელი კარტოგრაფის ა. ორტელიუსის მიერ შედგენილმა ატლასმა (1579). XVII—XVIII სს-ებში ი. გ-ის განვითარებას ხელი შეუწყო ჰოლანდ. სწავლულის ფ. კლიუვერისა და ფრანგი სწავლულის ჟ. ბ. დ'ანვილის შრომებმა. XIX ს-ში ი. გ-ის შინაარსი გამდიდრდა წარსულის სოც.-ეკონ. პრობლემატიკით (მაგ., დარბის ნაშრომები დიდი ბრიტანეთის ი. გ-ში).

რუსეთსა და საქართველოში ი. გ-ის განვითარება დაიწყო XVIII ს I ნახევარში (ვ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი, ნ. ბოლტინი, ნ. ბარსოვი და სხვ.). საბჭ. ისტორიკოსებმა ბევრი კაპიტ. გამოკვლევა მიუძღვნეს ი. გ-ს (მ. ტიხომიროვი, ა. ნასონოვი და სხვ.). ზოგადად ი. გ-ის საგანს და მის განვითარებას XIV—XVIII სს-ებში ეხება ვ. იაცუნსკის ნაშრომი. საქართველოში ი. გ-ის ქართული სკოლა ჩამოყალიბდა ნ. *ბერძენიშვილის* მეთაურობით, იგი ფართო მასშტაბით იკვლევს ამ თვალსაზრისით საქართველოს და კავკასიას.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 1 — ისტორიული გეოგრაფია, თბ., 1964; მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები [ტ.] 1, თბ., 1977; Маруашвили Л. И., Элементы исторической географии в трудах Вахушти Багратиони, «საქ. სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები», 1973, ტ. 12; Ядунский В. К., Историческая география. История ее возникновения и развития в XIV—XVIII вв., М., 1955.

ლ. მარუაშვილი.

ისტორიული გეოლოგია, გეოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის დედამიწის ქერქის განვითარებას მისი წარმოშობიდან დღემდე. ი. გ-ის ამოცანაა დედამიწის ქერქის ამგებელი ქანების წარმოშობის თანმიმდევრობისა (ასაკის) და ნალექების წარმოქმნის ფიზ.-გეოგრ. პირობების დადგენა, ტექტონ. მოძრაობებისა და მაგმატიზმის (ინტრუზიულის და ეფუზიურის) ისტორიის შესწავლა. ამ ამოცანის გადაჭრელად ი. გ. ემყარება პალეონტოლოგიის, ლითოლოგიის, ფაციესური ანალიზის, პეტროგრაფიის, მინერალოგიის, ტექტონიკის, რადიოგეოლოგიისა დ. სხვ. მონაცემებს. დანალექი ქანები უთავრესად სტრატიგრაფიული მეთოდით თარიღდება. ეს მეთოდი ემყარება იმას, რომ შრეები დალექვის პროცესში ერთმანეთზე ასაკობრივი თანამიმდევრობით ლაგდებიან: ქვევით ძვ. შრეებია, ზევით — უფრო ახალგაზრდა. სხვადასხვა ადგილებში აღწერილი ჭრილების *კორელაცია* ახლო მანძილზე შესაძლებელია წყებების ლითოლოგიური მსგავსების მიხედვით, შორეულ მანძილზე კი *პალეონტოლოგიურ მეთოდს* მიმართავენ. დანალექ ქანებში დაცული ორგანიზმების ნაშთების მიხედვით გამოყოფილია ძირითადი სტრატიგრაფიული და ქრონოლოგიური ერთეულების მტკიცე იერარქიული რიგი: ჯგუფი (ერა), სისტემა (პერიოდი), ქვესისტემა (ეპოქა), სართული (საუკუნე) და ა. შ. (იხ. *გეოლოგიური წელთაღრიცხვა*).

დედამიწის ქერქის ისტორიას ახასიათებს ფიზ.-გეოგრ. გარემოს უწყვეტი ცვალებადობა. ამიტომ პალეოგეოგრ. ვითარების თანამიმდევრობის აღსადგენად მიმართავენ ფაციესურ ანალიზს. ფაციესი დანალექი ქანის ლითოლოგიური და პალეონტოლოგიური თვისებების ერთობლიობაა, რ-იც ასახავს ნალექის წარმოქმნის გარემოს (ღრმა თუ თხელი ზღვის აუზი, ჭაობი, უდაბნო და სხვ.). სიქერსულ ფაციესთა გეოგრ. გავრცელების მიხედვით აღადგენენ წარსული დროის *პალეოგეოგრაფიას,* ხოლო *პალეოგეოგრაფიული რუკების* თანამიმდევრობა იძლევა დედამიწის ზედაპირის გეოგრ. განვითარების სურათს (ზღვისა და ხმელეთის საზღვრების გადაადგილება, ზღვის ქვაბულების და ხმელეთის რელიეფის გარდაქმნა, კლიმატური პირობების ცვალებადობა და სხვ.).

ეფუზიურ და ინტრუზიულ ქანთა დათარიღების მეთოდები განსხვავებულია. ეფუზიები წარმოქმნისას, დანალექი ქანების მსგავსად, დედამიწის ქერქის ზედაპირზეა განლაგებული და ამიტომ მათი დათარიღება უმთავრესად სტრატიგრაფიული მეთოდით ხდება. ინტრუზიული სხეულები კი შეჭრილია ქერქში და ამიტომ მათი დათარიღება შეიძლება ქვედა ან ზედა ასაკობრივი საზღვრის დადგენით. ქვედა საზღვარი ის დანალექი ქანებია (სტრუქტურებია), რ-ებშიც შეჭრილია ინტრუზიული სხეული, ზედა საზღვარი კი ქანებია, რ-ებიც ამ ინტრუზიის გადარეცხილ მასალას შეიცავს. სტრატიგრაფიულ მეთოდს ემყარება ძირითადად მეტამორფული ქანების დათარიღებაც. დღეს ქანების დათარიღების მიზნით ფართოდ იყენებენ აგრეთვე რადიოლოგიურ მეთოდებსაც.

ტექტონ. მოძრაობების (დანაოჭების ეპეიროგენეზისი) ისტ. შესწავლაც მათ დათარიღებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში საჭიროა მოძრაობის (სტრუქტურის) ასაკის ქვედა და ზედა საზღვრის დადგენა. ქვედა საზღვარი ის ქანებია, რ-ებიც სტრუქტურას აგებენ, ზედა — სტრუქტურაზე

უთანხმოდ განლაგებული შრეებია, ხოლო ტექტონ. მოძრაობა ზოგადად თავსდება უთანხმოებით გამოხატულ ხარვეზებში: კუთხურ უთანხმოებაში – დანაოჭება (ოროგენიული მოძრაობა), სტრატიგრაფიულ უთანხმოებაში კი — რხევითი (ეპეიროგენული) მოძრაობები.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ა. ცაგარელი.

ისტორიული კანონზომიერება, იხ. *საზოგადოებრივი კანონზომიერება.*

ისტორიული კარტოგრაფია, სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც ადგენს *ისტორიულ რუკებს,* ატლასებს და ამუშავებს მათი შექმნის მეთოდიკას.

ისტორიული ლექსი, ქართული ზეპირსიტყვიერების ჟანრი, ისტ. მოვლენებისა და მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი ხალხური ლექსი. ი. ლ-ის ყველაზე ადრინდ. ნიმუშები ეძღვნება ვახტანგ გორგასალს და V—VI სს. თარიღდება. ცნობილია ლექსები კონსტანტინე არსაკიძის, თამარ მეფის, რუსუდან მეფის, ერეკლე II-ისა და სხვ. შესახებ. ასევე პოპულარულია ქართ. ხალხ. პოეზიაში ბახტრიონის აღება, ასპინძისა და კრწანისის ბრძოლები, 1804, 1812 სახალხო აჯანყებანი, 1905—07 რევოლუცია და სხვ. ი. ლ-ებში აისახა ქართვ. ერის მრავალჭირნახული ისტორია, მისი ბრძოლა დამპყრობლებთან.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქ. სიხარულიძის გამოც., ტ. 1–3, თბ., 1961—67.

ისტორიული მატერიალიზმი (ისტორიის მატერიალისტური გაგება), მეცნიერება საზ-ბის განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. დიალექტ. მატერიალიზმთან ერთად იგი არის მარქსიზმის შემადგენელი ნაწილი, კომუნიზმის თეორ. საფუძველი. კერძო საზ. მეცნიერებისაგან განსხვავებით ი. მ. შეისწავლის არა ადამიანთა ცხოვრების რ-იმე გარკვეული სფეროს კანონებს, არამედ საზ-ბის, როგორც მთლიანის, დამახასიათებელ კანონებსა და მამოძრავებელ ძალებს.

ი. მ. იკვლევს საზ. ცხოვრების სხვადასხვა მხარეების ურთიერთმიმართებას, საშუალებას აძლევს კერძო საზ. მეცნიერებებს იხელმძღვანელონ სოც. პროცესების ისტ. კავშირისა და განვითარების საერთო ტენდენციის ცოდნით. ი. მ. ზოგადთეორიული მეცნიერებაა და მეთოდოლ. როლს ასრულებს კერძო საზ. მეცნიერებათა მიმართ. თავის მხრივ, კერძო საზ. მეცნიერებანი მყარ საფუძველს ქმნიან ი. მ-ის ზოგადსოციოლ. განზოგადებისათვის, საკუთარი დარგების მეცნ. მონაცემებით ადასტურებენ ი. მ-ის დასკვნებსა და დებულებებს. მხოლოდ ი. მ-ისა და კერძო საზ. მეცნიერებათა ორგ. ერთიანობა უზრუნველყოფს ისტ. მოვლენების მეცნ. შემეცნებას.

ისტორიის მატერიალ. გაგება შეიმუშავეს მარქსმა და ენგელსმა XIX ს. 40-იან წლებში. მათ პირველად კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ფილოს. მატერიალიზმის ძირითადი პრინციპი თანამიმდევრულად გააფრცელეს საზ. ცხოვრების მიმართ, დააასაბუთეს, რომ „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას" (მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ფ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 624). როგორიცაა საზ. ყოფიერება, საზ-ბის მატერ. ცხოვრების პირობები, ისეთივეა ადამიანთა ცნობიერება, მათი იდეები და თეორიები. ჯერ იცვლება მატერ. მხარე, საზ. ყოფიერება, ხოლო შემდეგ მის შესაბამისად—ადამიანთა შეხედულებები და თეორიები, საზ. ცნობიერება.

საზ. ყოფიერება ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია, ხოლო საზ. ცნობიერება დამოკიდებულია ადამიანთა მატერ. ცხოვრების პირობებზე, საზ. ყოფიერებაზე. ადამიანთა შეხედულებებსა და თეორიებში მათივე რეალური ცხოვრება აისახება. ადამიანთა ფანტასტიკური წარმოდგენებიც კი, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, აუცილებელი სუბლიმატებია მათივე მატერ. საარსებო პროცესისა.

საზ. ცნობიერების ამგვარი გაგება ლოგიკურად გამომდინარეობს ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის ზოგადი პრინციპიდან, რ-საც მარქსისტული ფილოს. მატერიალიზმი ემყარება. „ცნობიერება საზოგადოდ ა ს ა ხ ა ვ ს ყოფიერებას,—ეს მ თ ე ლ ი მატერიალიზმის ზოგადი დებულებაა. შეუძლებელია ამ დებულების პირდაპირი და დ ა ნ უ ყ რ ე ლ ი კავშირი არ დავინახოთ ისტორიული მატერიალიზმის დებულებასთან: საზოგადოებრივი ცნობიერება ა ს ა ხ ა ვ ს საზოგადოებრივ ყოფიერებას" (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14, გვ. 411).

ისტორიის მატერიალ. გაგების დასაბუთებით დაძლეულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ნაკლოვანებანი და შეზღუდულობანი. მარქსამდელი სოციოლოგები და ისტორიოგრაფები უკეთეს შემთხვევაში განიხილავდნენ ადამიანთა ისტ. მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არა მათ გამომწვევ მატერ. მიზეზებს. მათი აზრით, საზ. ცხოვრებას და განვითარებას განსაზღვრავს იდეური ფაქტორები, სხვადასხვაგვარი შეხედულებები, თეორიები და მისწრაფებები. მარქსამდელ სოციოლოგიას და ისტორიოგრაფიას თავისი თავისათვის არასოდეს არ დაუსვამს კითხვა, თუ როგორი მამოძრავებელი ძალები იმალება თვით ამ იდეური მოტივების უკან. ი. მ-ის აღმოჩენით დადგინდა, რომ სხვადასხვა საზ. მოვლენის ძირი განსხვავებული იდეური მოტივებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პირიქით, მატერ. ცხოვრების პირობათა სხვადასხვაობის ბაზაზე აღმოცენდება მრავალი იდეა და მისწრაფება, იდეური მოტივები საერთოდ. მაგრამ საზ. ცნობიერების მეორადობა არ ნიშნავს, რომ იგი პასიურია. ი. მ-ის თანახმად, საზ. ცნობიერება ნეიტრალური როდია საზ. ყოფიერების მიმართ. იგი აქტიურად უკუქმედებს საზ. ყოფიერებაზე, აჩქარებს ან აფერხებს მის განვითარებას კონკრ.-ისტ. პირობების შესაბამისად.

მარქსამდელი სოციოლოგიის ზემოთ აღნიშნული მცდარი პრინციპიდან გამომდინარეობდა მეორე არსებითი ნაკლოვანება: ისტ. წამყვან ძალად გამოჩენილ პიროვნებათა გამოცხადება, ისტ. მიჩნევა ცალკეულ პიროვნებათა შემოქმედების შედეგად. ხალხის მასების როლის უგულებელყოფა და პიროვნების მოღვაწეობის აბსოლუტიზაცია შეუძლებელს ხდიდა საზ. პროგრესის, კლასებისა და კლასთა ბრძოლის, სახელმწიფოს, რევ. და საზ. ცხოვრების სხვა მოვლენებისა და პროცესების მეცნ. ახსნას. ი. მ-ს სწორედ ხალხი მიაჩნია საზ-ბის განვითარების გადამწყვეტ ძალად, ისტ. ნამდვილ შემოქმედად. იგი განვითარების მთავარ პირობად თვლის მატერ. დოვლათის წარმოებას, ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების მოპოვების წესს. წარმოების პროცესის ძირითად ძალებს კი მშრომელი მასები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, საზ. განვითარების ისტორია არის მატერ. დოვლათის მწარმოებელთა ისტორია, მშრომელი მასების ისტორია. ამით გადალახულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ნიჰილიზმი ხალხის მასებისადმი და მცნ. საფუძველზე გაირკვა ხალხის მასების როლი კაცობრიობის ისტორიაში.

მაგრამ ამით ი. მ. არ გამორიცხავს პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობას ისტ. განვითარებაში. დიდი ადამიანები მხოლოდ იმდენად შეასრულებენ სერიოზულ როლს საზ-ბის განვითარებაში და დაჩქარებენ ისტ. განვითარების მომზეფებული ამოცანების გადაჭრას, რამდენადაც ისინი შეძლებენ საზ-ბის განვითარების პირობების სწორად გაგებას და მათ შესაბამის მოქმედებას და პირიქით, ხელმძღვ. პიროვნებანი ანელებენ ისტ. განვითარებას, თუ ისინი ვერ იგებენ ხალხის მოღვაწეობის ობიექტურ პირობებს და მათ წინააღმდეგ მოქმედებენ.

ი. მ-ის მიხედვით, საზ. მოვლენებისა და პროცესების გაგება ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ მატერ. საწარმოო-ეკონ. საფუძვლებს ემყარება, საზ-ბის ისტორიას ი. მ., უწინარეს ყოვლისა, ობიექტურ ეკონ. აუცილებლობას, წარმოების განვითარებას უკავშირებს. იგი საზ-ბის განვითარების ისტორიას წარმოსახავს როგორც ბუნებრივ ისტ. პროცესს. მატერ.-ეკონ. ფაქტორებით არის განპირობებული კლასების წარმოშობა და ბრძოლა, საზ-ბის სოც. სტრუქტურის ცვალებადობა, სოც. რევოლუციები; აგრეთვე საზ-ბის პოლიტ. მოვლენები, ადამიანთა ერთობის ფორმები, სულიერი განვითარება და სოც. ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანესი მხარეები. ამასთან, ი. მ-ს ეკონ. განვითარება არ მიაჩნია ისტ. პროგრესის ერთადერთ აქტ. მიზეზად. მისი მოძღვრების თანახმად, ეკონ. პირობების საერთო განმსაზღვრელი როლის ფარგლებში ისტ. პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენს პოლიტ., იურიდ., ფილოს., და ზედნაშენური ხასიათის სხვა მოვლენები.

ი. მ-თვის შეუწყნარებელია საზ. ცხოვრების ახსნა სინამდვილისაგან მოწყვეტილი აბსტრ. სქემების შემწეობით. იგი საზ. ცხოვრებას განიხილავს ისე, როგორც ის სინამდვილეშია, ე. ი. მატერიალისტურად გვიხსნის მას. მაგრამ საზ. ცხოვრების მატერიალ. ახსნა მისივე საფუძველზე აუცილებლობით მოითხოვს დიალექტ. მეთოდის გამოყენებას სინამდვილის ამ სპეციფ. ნაწილის შემეცნებისადმი, ვინაიდან საზ. ცხოვრება დიალექტიკურია თავისი ბუნებით. ამიტომ ი. მ. არის არა მხოლოდ ისტორიის მატერიალ. გაგების თეორია, არამედ საზ. ცხოვრების შემეცნების მეცნ. მეთოდოლოგიაც.

ბურჟ. სოციოლოგიისაგან განსხვავებით, რ-იც არ ცნობს ორგ. ურთიერთკავშირს სოც. მოვლენებსა და პროცესებს შორის, ი. მ. ფაქტებსა და პროცესებს განიხილავს კონკრ.-ისტორიულად, ურთიერთკავშირსა და ურთიერთგაპირობებულობაში, საზ-ბის სხვა მხარეებსა და მომენტებთან ერთიანობაში.

საზ. მოვლენების გაგება და შეფასება მათ შორის არსებული მჭიდრო კავშირის ნიადაგზე ი. მ-ის ერთ-ერთი მეთოდოლ. მოთხოვნაა, რ-ის დაცვის გარეშე ისტ. სინამდვილის კვლევა არ იქნებოდა მეცნიერული. ი. მ. მეცნიერულად არკვევს აგრეთვე საზ-ბის მამოძრავებელ ძალებს, მათ ურთიერთკავშირსა და მნიშვნელობას ყველა დროსა და ვითარებაში.

ერთი საზ. წყობილება რევ. გზით იცვლება მეორით, ძვ. საზ.-ეკონ. ფორმაციის ადგილს იკავებს მეორე, ახალი. ი. მ. იკვლევს ყველა იმ საფუძველს, რ-იც გარდაუვალად იწვევს ერთიდან მეორე წყობილებაზე გადასვლას, საზ. პროგრესის განხორციელებას.

ისევე როგორც ბუნებაში, საზ. ცხოვრებაშიც მოძრაობა-ცვალებადობა ხორციელდება დაპირისპირებულ მხარეთა შორის ბრძოლის, შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებისა და დაძლევის გზით. ი. მ. მეცნ. სიზუსტით ადგენს კანონზომიერებებს, რ-თა ბაზაზე იქმნება წინააღმდეგობანი საზ-ბის ეკონ., პოლიტ., კლასობრივ, იდეოლ. და სხვა სფეროებში.

ი. მ. მატერიალისტურად გვიხსნის საზ. ცხოვრებას, იგი მისი შემეცნების ერთადერთი მეცნ. მეთოდია. საზ. მოვლენების

მატერიალ. ახსნისა და მათლამი დიალექტ. მიდგომის ორგ. ერთიანობა ი. მ-ის არსებითი ნიშან-თვისებაა.

ი. მ-ის თანახმად საზ-ბა შეიცნობს და თავის სასარგებლოდ გამოიყენებს ობიექტურ აუცილებლობას, ბატონდება ბუნებისა და საზ-ბის ძალებზე, თავისუფალია მათ მიმართ. თავისუფლება კი არ გამორიცხავს აუცილებლობას, არამედ მას ემყარება. ადამიანთა თავისუფლება განსაზღვრულია ობიექტური აუცილებლობით და ამ აუცილებლობის შესაბამისი მოქმედებით. თავისუფლება გულისხმობს ობიექტურად მოქმედ ძალებზე გაბატონებას, რასაც ადამიანები პრაქტიკულად აღწევენ, თუკი შეიცნობილი აქვთ ეს ძალები და მათ უფარდებენ თავიანთ მოღვაწეობას.

ი. მ. ძირეულად უპირისპირდება ორ უკიდურესობას—ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმს ისტ. აუცილებლობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ფატალიზმი თვლის, რომ ობიექტური კანონების აღიარება შეუთავსებელია ადამიანთა თავისუფლებასთან, რომ საზ-ბა ბრმად უნდა ექვემდებარებოდეს ობიექტურ კანონზომიერებას, უსიტყვოდ უნდა შეურიგდეს მოვლენათა თავისთავად მსვლელობას. ისტ. კანონზომიერების ამგვარი გაგება ემსახურება გაბატონებულ ექსპლუატატორულ კლასებს, რ-ებიც დაინტერესებული არიან მშრომელთა ჩაგვრის სისტემის შენარჩუნებით და უკანონოდ აცხადებენ რევ. ძალების ბრძოლას განთავისუფლებისათვის. სინამდვილეში საზ-ბა სრულიადაც არ არის უძლური თავისივე განვითარების კანონების მიმართ. საზ. განვითარების კანონები მოქმედებს გარკვეულ პირობებში და მათ ფონზე. ამ პირობების შექმნა შეუძლებელია ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის გარეშე. იმ საზ-ბაში, სადაც წინასწარ არის შეცნობილი საკუთარი განვითარების კანონები, მათი მოქმედების პირობები, მიმართულებანი და შედეგები, სავსებით შესაძლებელია სწორედ ისეთი პირობების შექმნა, რ-ებიც მაქსიმალურად ხელსაყრელი იქნება საზ. აუცილებლობის შეუფერხებელი სვლისათვის. ასეთია სოციალ. საზ-ბა, სადაც ისტ. კანონზომიერების განხორციელების პირობები იქმნება მშრომელი მასების შემოქმედებითი შრომით და საზ. პროგრესის მიმართულება მთლიანად ემთხვევა ხალხის მასების სასიცოცხლო ინტერესებს. საზ. განვითარების ობიექტური კანონების შეცნობისა და შეგნებული გამოყენების საფუძველზე საზ-ბის პროგრ. ძალები თავიანთ სამსახურში აყენებენ ისტ. აუცილებლობას, აფართოებენ ან ზღუდავენ მისი მოქმედების ფარგლებს.

თავისუფლებისა და აუცილებლობის მეტაფიზ. გათიშვა ვოლუნტარიზმის საფუძველსაც წარმოადგენს. ვოლუნტარიზმის მიხედვით, ადამიანთა მოქმედება არ არის განპირობებული მათგან დამოუკიდებელი ობიექტური აუცილებლობით, ამ აუცილებლობის შეგნებითა და გათვალისწინებით. ი. მ-თვის მიუღებელია თავისუფლების ასეთი გაგება. იგი თვლის, რომ თუ საზ-ბის წარმმართველ ძალებს არა აქვს წინსვლის ობიექტური აუცილებლობის შეგნება, მათ მოქმედებას უმისამართო ხასიათი ეძლევა, რასაც შედეგად მოჰყვება მტკივნეული დაბნეულობა და მოდუნება, საბოლოოდ კი ისტ. პროგრესის შენელება. საზ. მოვლენებისადმი სუბიექტივისტური მიდგომა ხელ-ფეხს უხსნის ავანტიურიზმს, ექსპლუატატორული საზ-ბის მმართველი წრეებისა და ცალკეული ხელმძღვანელი მოღვაწეების აღვირახსნილ წამოწყებასა და მოქმედებას. ავანტიურისტული პოლიტიკა საბოლოოდ კრახით მთავრდება, ვინაიდან შეუძლებელია წარმატება მოჰყვეს აუცილებლობის საწინააღმდეგო მოძრაობას.

საზ. ცხოვრება რთული და მრავალმხრივია. აქ მიმდინარეობს ეკონ., პოლიტ., იდეოლოგიური და სხვა პროცესები. საზ-ბის წევრებს, სხვადასხვა სოც. ჯგუფებს, კლასებს გარკვეული მიზნები და ინტერესები ამოძრავებს. კლასობრივ ანტაგონისტურ საზ-ბაში მათი მიზნები და ინტერესები ურთიერთსაწინააღმდეგოა, მაგრამ საზ-ბაში თვითნებობა და ქაოსი არ არის გამეფებული. ადამიანთა ცხოვრება გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მათ შესაბამისად წარიმართება; უამრავი ურთიერთგადაჯვარედინებული ძალებიდან ყოველთვის გამომდინარეობს საერთო ტოლქმედი (ფ. ენგელსი). საზ-ბის განვითარება ბუნებრივ-ისტ. პროცესების სახეს იღებს.

საზ-ბის განვითარების კანონები (ისევე, როგორც ბუნების კანონები) ობიექტურია, ე. ი. ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებობს. ცხადია, საზ. განვითარების აუცილებლობა ცნობიერებით აღჭურვილი ადამიანების შეგნებულ ისტ. მოღვაწეობაში ვლინდება, ისტორიას ადამიანები ქმნიან. მაგრამ მისი შექმნა ადამიანთა შეგნების განმსაზღვრელ გარემოში გარკვეული ობიექტური აუცილებლობით ხდება. საზ-ბისა და ბუნების კანონების საერთო ნიშნებია აგრეთვე ზოგადობა, განმეორებადობა, არსებითობა, აუცილებლობა.

საზ. განვითარების კანონები ბუნების კანონებთან შედარებით მოკლე ისტ. პერიოდში მოქმედებს, ბუნების ცვალებადობა, თუ მასზე ადამიანის ზემოქმედებას გამოვრიცხავთ, უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე სოც. ცხოვრების ცვალებადობა. ბუნების კანონების მოქმედება გაცილებით წმინდა, შეუფერხებელი სახით ვლინდება, ვიდრე საზ. განვითარების კანონებისა. ბუნების კანონებისაგან განსხვავებით, საზ. განვითარების კანონების ეამოყენება ანტაგონისტურ საზ-ბაში დიდ წინააღმდეგობას აწყდება რეაქციული ძალების მხრივ, რ-ებიც ყოველთვის ცდილობენ მხარი დაუჭირონ ძველსა და დრომოჭმულს, წინ აღუდგნენ ამ კანონთა მოქმედებას, რ-იც იწვევს მათ გარდაუვალ დალუპვას.

კლასობრივი საზ-ბის განვითარების ისტორია არც ერთ სოციოლოგიურ, ისტ.-ფილოს. მოძღვრებას არ იცნობს ისეთს, რ-იც პარტიულ, კლასობრივ ხასიათს არ ატარებდეს. სხვანაირად შეუძლებელიცაა. კლასობრივ საზ-ბაში საზ. თეორიები ყოველთვის გამოხატავენ ამა თუ იმ კლასის მიზანსწრაფვას და მოქმედებას. ამაში მეღავნდება სოციოლოგიის კლასობრივი, პარტიული ხასიათი.

მაგრამ ექსპლუატატორული კლასების იდეოლოგიები საზ-ბას განიხილავენ ამავე კლასების ინტერესების მიხედვით, მიკერძოებით, ისე, როგორც ამა თუ იმ კლასს ან სოც. ჯგუფს გამოადგება. ამიტომ მარქსამდელი, აგრეთვე თანამედროვე ბურჟ. სოციოლოგიის პარტიულობას გამოცლილი აქვს მეცნ. ობიექტურობის საფუძველი.

მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიაც პარტიული და კლასობრივია. კერძოდ, იგი ასახავს და იცავს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ინტერესებს, არ ფარავს თავის მებრძოლ, კლასობრივ, პარტიულ ხასიათს. ამასთან, ი. ს-თვის სპეციფიკურია ის, რომ მისი პარტიულობა მეცნ. ობიექტურობას ემყარება. იგი არ არის მიკერძოებული დოქტრინა, გამოხატავს მშრომელი მასების ინტერესებს და ამავე დროს ზუსტად შეესაბამება სინამდვილის განკითარების ობიექტურ კანონზომიერებებს. მებრძოლი პარტიულობისა და მეცნ. ობიექტურობის ორგ. ერთიანობა თვისებრივად ახალი, მარქსისტული სოციოლოგიის დამახასიათებელი თავისებურებაა.

ი. მ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი შემოქმედებითი ბუნება. იგი შეუთავსებელია დოგმატიზმთან, მეცნ. აზრის გაყინვასა და გაქვავებასთან, ვითარდება და სრულყოფილი ხდება ახ. ისტ. გამოცდილების შესაბამისად. იგი კვლავაც გამდიდრდება ახ. დასკვნებითა და დებულებებით რევ. მოძრაობის ახ. პირობების, საზ. მეცნიერებათა ახ. მონაპოვრების გათვალისწინების საფუძველზე.

ლენინური ეტაპი მარქსისტულ ფილოსოფიაში კლასიკურად განასახიერებს ი. მ-ის შემოქმედებითს ბუნებას. ვ. ი. ლენინმა იმპერიალ. და პროლეტ. რევოლუციების ეპოქაში მარქსიზმის მტრეანი შემოტევებისაგან დაიცვა ი. მ., წინ წასწია და გააღრმავა იგი. ვ. ი. ლენინმა ი. მ. გაამდიდრა რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურისა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გამოტახილი ახ. დასკვნებით. სკკპ ყრილობებსა და პლენუმებზე კონკრ.-ისტ. ვითარების შესაბამისად ახლებურად გაშუქდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხები სოციალ. და კაპიტალ. სისტემების თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის გზების, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ და სხვ. შეიქმნა ჭეშმარიტად ახ. ეტაპი მეცნ. კომუნიზმის თეორიაში.

ი. მ. შემოქმედებითია თავისი ბუნებით, ვითარდება დროის მსვლელობაში, მდიდრდება ახ. ისტ. პირობებისა და გამოცდილების, პროლეტ. კლასობრივი ბრძოლის ახ. ფაქტების შესაბამისად.

საზ. ცხოვრების რევ. გარდაქმნა —მარქსისტული სოციოლოგიის არსებითი მოთხოვნაა. მარქსამდელი სოციოლოგები უგულებელყოფდნენ ადამიანის პრაქტ.-რევ. მოღვაწეობის მნიშვნელობას. ერთადერთი ამოცანა, რ-საც ისინი ისახავდნენ, საზ-ბის ახსნა განმარტებით, სოც. ცხოვრების გაგებით ამოიწურებოდა. მაგრამ ეს ამოცანა მეცნ. თვალსაზრისით გადაუწყვეტელი იყო მარქსისტული სოციოლოგიის წარმოშობამდე. ძვ. სოციოლოგია ვერ მივიდა საზ-ბის განვითარების უზოგადესი კანონების გაგებამდე, ვერ გაშორდა იდეალიზმს. საზ-ბის ცხოვრების შესწავლის დარგში მარქსისტულმა სოციოლოგიამ (ი. მ-მა) პირველად მოგვცა საზ. განვითარების ნამდვილი, მეცნ. გაგება. მაგრამ მისი განმასხვავებელი თავისებურება წინანდელი სოციოლოგიისაგან მხოლოდ ამაში როდი მდგომარეობს. სოც. სინამდვილის ახსნა არ წარმოადგენდა ი. მ-ის თვითმიზანს. წინანდელი სოციოლოგიისაგან განსხვავებით იგი მთავარ ამოცანად აყენებს საზ-ბის პრაქტ.-რევ. გარდაქმნას. მარქსისტული ფილოსოფია არის არა მარტო სამყაროს მეცნ. შეცნობის, არამედ მისი პრაქტ.-რევ. გარდაქმნის, კომუნიზმისათვის ბრძოლის მძლავრი თეორ. იარაღი.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს (მარქსი კ. და ენგელსი ფ. რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 1). ასე ახასიათებდა მარქსი ძველ მსოფლმხედველობის ნაკლს და ახ. მსოფლმხედველობის ისტ. მოწოდებას. მარქსიზმის ეს თავისებურება მთლიანად ვრცელდება ი. მ-ზე.

მარქსისტული სოციოლოგია არ ცნობს საზ. პრაქტიკისაგან გათიშულ წმინდა თეორ. ინტერესებს, იგი სისტემურად არის დაკავშირებული რევ. პრაქტიკასთან, პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებთან, კომპარტიის პოლიტიკასთან. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა მარქსისტული სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა.

ი. მ. უდიდეს მაორგანიზებელ, დამრაზმავ და გარდამქმნელ როლს ასრულებს მშრომელი ხალხის რევ. მოძრაობაში. იგი პროლეტარიატის, როგორც ყველაზე პროგრ. კლასის, გათვითცნობიერების უმაღლესი საშუალებაა. ი. მ-ის ყველა დებულებას, ისევე როგორც დიალექტ. მატერიალიზმის დებულებებს, კომუნიზმის მსო

ფლიო-ისტ. გამარჯვების დასაბუთებამდე მივყავართ.

დიდია ი. მ-ის მეთოდოლ. მნიშვნელობა კონკრ. სოციოლოგიური კვლევისათვის. საზ. მეცნიერებათა ყოველ დარგში კონკრ. სოციოლოგიური გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს ავსახოთ ზოგად-ისტ. კანონზომიერებათა გამოვლენის ფორმები, განვსაზღვროთ გზები და პირობები კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა უზრუნველსაყოფად. ამიტომ მათი ფუნქციები უაღრესად პრაქტიკულ-გამოყენებითია.

ზუსტ გაანგარიშებაზე აგებული სოციოლოგიური გამოკვლევების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მეცნ.-ტექ. რევ. პირობებში, როდესაც საზ. მეცნიერებანი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სოც. მასალის ფორმალიზაციას და სის მათ. დამუშავებას, სოც. მოდელირებას საზ. ცხოვრების შესწავლის დროს.

„სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ისტორიის მატერიალისტური გაგება და რომლებიც განაზოგადებენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, დღითი დღე სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ პრაქტიკული საკითხების — პოლიტიკური, საწარმოო, აღმზრდელობითი საკითხების გადაჭრაში“ (სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966, გვ. 202).

კონკრ. სოც. კვლევას, რ-იც ი. მ-ს ემყარება, საერთო არაფერი აქვს დასავლეთის სამყაროსათვის მოდურ მიკროსოციოლოგიასთან. ბურჟ. სოციოლოგია არ ცნობს საზ. განვითარების უზოგადეს კანონებს და ცალკეული, მცირე სოც. ჯგუფების კვლევის საფუძველზე შემუშავებულ დასკვნებს ავრცელებს დიდ სოც. ჯგუფებზე, ხშირ შემთხვევაში კი მთელ საზ-ბაზე. სწორედ აქ მყღავნდება ბურჟ. სოციოლოგიის სუბიექტივიზმი, მისი მეთოდოლოგიის სიყალბე. იგი საზ-ბის ძირეულ პრობლემებს წყვეტს მონოპ. ბურჟუაზიისა და მისი მოკავშირეების ინტერესების შესაბამისად.

ბურჟ. სოციოლოგიისაგან განსხვავებით ი. მ. მყარ მეთოდოლოგიურ ბაზას ქმნის. კონკრ.-სოც. კვლევისათვის, იგი შესაძლებლობას გვიქმნის განვითარების კანონზომიერ მსვლელობას შევუფარდოთ კონკრ.-სოც. მასალის ანალიზი და განზოგადება, ამ კვლევის საფუძველზე მოპოვებული შედეგებით დავადასტუროთ კაცობრიობის პროგრესული მოძრაობის ტენდენციები და მიმართულებანი, განვსაზღვროთ მათი გამოვლენის თავისებურებანი.

კონკრ.-სოც. კვლევის განვითარება ახ. პერსპექტივებს სახავს საბჭ. სოციოლოგების წინაშე. ი. მ-ის თეორიითა და მეთოდით ხელმძღვანელობა სოც. კვლევის წარმატებათა საწინდარია.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. წინასიტყვაობა, მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კარლ მარქსი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მ ი ს ი ვ ე, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, იქვე, ტ. 19; მ ი ს ი ვ ე, რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?, იქვე, ტ. 1; ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1957; თბ., 1971; ისტორიული მატერიალიზმის საგნის შესახებ, თბ., 1973; მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები, თბ., 1974.

ბ. *ლუტიძე.*

ისტორიული ჟანრი, სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი, რ-იც ასახავს ისტორიული წარსულის მოვლენებსა და პირებს, საზოგადოების ისტორიისათვის სოციალურად მნიშვნელოვან ფაქტებს. ი. ჟ. მოიცავს აგრეთვე უახლოეს მოვლენებს, რ-თა ისტ. მნიშვნელობა აღიარებულია თანამედროვეთა მიერ. მისი ძირითადი სახეებია: ისტ. სურათი, მოხატულობა, რელიეფი, მრგვალი ქანდაკება და დაზგური გრაფიკა. ი. ჟ. მჭიდრო კავშირშია სხვა ჟანრებთან — ყოფით ჟანრთან (ისტ.-ყოფითი გამოსახულებები), პეიზაჟთან („ისტორიული პეიზაჟი“); განსაკუთრებით ახლოსაა ბატალურ ჟანრთან.

თანამედროვე სახით ი. ჟ. ჩამოყალიბდა ისტორიაზე მეცნ. შეხედულებათა განვითარებასთან ერთად (სრული სახით მხოლოდ XVIII—XIX სს.). ი. ჟ-ის ჩასახვა დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების უძველეს პერიოდთან. ძვ. ეგვიპტესა და მესოპოტამიაში ისტ. მოვლენებს ასახავდნენ ან სიმბოლურ კომპოზიციებში (მონარქის საბრძოლო გამარჯვებათა აპოთეოზი, ღმეროების მიერ მისთვის ხელისუფლების გადაცემა და ა. შ.), ან ნახევრად ლეგენდური სცენების ციკლებში, რ-ებიც უმთავრესად მოგვითხრობდნენ მმართველების ან მათი მხედრიონის გმირობაზე (საომარ თემებზე, ლაშქრობებზე, მოგზაურობებზე შექმნილი რელიეფები ან მოხატულობანი). ძვ. საბერძნეთში წარმოდგენები გარდასულ მოვლენებზე, როგორც წესი, მითოლ. სახეს იძენდა, რამაც გამოხატულება ჰპოვა სახვით ხელოვნებაში. ამასთან ერთად, ასახავდნენ იმდროინდელი საზ-ბის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მითოლ. მსოფლმხედველობის დაცემის შემდეგ იწყეს უახლესი წარსულის, რეალური პირების გამოსახვა (ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიოსთან ძვ. წ. IV—III სს-ში, ცნობილია რომაული პირი). ძვ. რომაულ რელიეფებში მთელი სიდიადით აისახა რომის იმპერიის ძლიერება. ისტ.-ყოფითი სიუჟეტები გაჩნდა VII ს. ჩინეთში, XI—XII სს-ში — იაპ. ფერწერაში, XV—XVI სს-ში — აზერბ., ირან., შუა აზიის, ინდ. მინიატიურებში („ბაბურნამე“, XVI ს. ბოლო). ევროპაში საკუთრივ ი. ჟ-ის ჩამოყალიბება დაიწყო რენესანსის ეპოქაში. იტალიაში უკვე XIV ს-ში შეიქმნა ფრესკები მნიშვნელოვან ისტ. თემებზე. ანდრეა მანტენია და პიერო დელა ფრანჩესკა მიმართავდნენ წარსულს (ძირითადად ანტიკურს), როგორც გმირულ იდეალს, მაგალითს თანამედროვეთათვის. ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიციანი ადიდებდნენ ადამიანს; იაკოპო ტინტორეტოს სურათებში უპირველეს გმირად ხალხი იქცა. XVIII ს. ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ისტ. თემის დეკორ. გადაწყვეტა (ჯ. ბ. ტიეპოლო იტალიაში). ნ. პუსენმა (საფრანგეთი) შექმნა საზ.-ეთიკური პათოსით აღსავსე კეთილშობილ ანტ. გმირთა სახეები („გერმანიკის სიკვდილი“, 1626 — 27); დ. ველასკესმა (ესპანეთი) ღრმა ისტ. ობიექტურობით წარმოაჩინა კონფლიქტი ორი ერთმანეთთან მებრძოლი ძალისა — ფეოდ. ესპანეთისა და ბურჟ. ჰოლანდიისა („ბრედას ჩაბარება“, 1634); პ. პ. რუბენსი (ფლანდრია) თავისუფლად უხამებდა ისტ. რეალობას ფანტაზიასა და ალეგორიას (ციკლი „კონსტანტინეს ისტორია“, „მარიამ მედიჩის ისტორია“, დაახლ. 1622—25); რემბრანდტმა (ჰოლანდია) ხორცი შეასხა მოგონებებს ნიდერლანდის რევ. ჰეროიკაზე (ე. წ. „ღამის მზვერავები“, 1642) და სხვ. რუსეთში ი. ჟ-ის განვითარება დაიწყო XVIII ს. I ნახევარში — ა. ზუბოვის ნამუშევრები (პეტრე I-ის ბრძოლები და სადღესასწაულო სცენები), ბატალური სურათები, რ-თაც ი. ნიკიტინს მიაწერენ, მ. ლომონოსოვის სახელოსნოს მოზაიკა „პოლტავის ბატალია“ (1762—64) და სხვ.

XVIII ს. II ნახევარში, განმანათლებლობის ეპოქაში, იზრდება ი. ჟ-ის იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა (ჟ. ლ. დავიდის „ჰორაციუსების ფიცი“, 1784; „ფიცი ბურთის სათამაშო დარბაზში“, 1791; „მარატის სიკვდილი“, 1793).

XIX ს. დასაწყისში ი. ჟ-ში შეიჭრა ისტ. ტრაგიკული მომენტები, რაც გამოიხატა რევ. ბრძოლებისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ განმათ. ბრძოლების დრამატიზმის ჩვენებაში. ფ. გოიამ (ესპანეთი) უჩვენა, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვას ულმობელი და მკაცრი ძალადობა უპირისპირდება („მეამბოხეთა დახვრეტა ღამით, 1808 წლის 3 მაისს“, დაახლ. 1814). ე. დელაკრუას რევ. პათოსით აღსავსე სურათი „თავისუფლება, რომელიც წინ მიუძღვის ხალხს“ (1830), ნათლად მეტყველებს ეპოქის განწყობილებაზე. იმდროინდელი საზ-ბის რევ. განწყობილებას ასახავს ო. დომიეს კომპოზიციები.

XIX ს. შუა წლებში რეალისტური ხელოვნების განვითარებამ შეცვალა ი. ჟ-ის ხასიათი. გავრცელდა ისტ.-ყოფითი სურათები, რ-ებიც გადმოსცემდნენ „ეპოქის კოლორიტს“, ყოველდღიური ცხოვრების ზუსტ დეტალებს (ე. მესონიე საფრანგეთში, ჯ. ლეისი ბელგიაში, მ. შვინდი ავსტრიაში). ისტ. სურათის ახ. ტიპი შექმნა ა. მენცელმა (გერმანია); მან დამაჯერებლად და ზუსტად აღადგინა ფრიდრიხ II-ის ეპოქის ზნე-ჩვეულებანი, განწყობილება და ხასიათი.

1860-იან წლებში დემოკრ. მოძრაობის ზრდასთან და ისტ. მეცნიერების განვითარებასთან ერთად დაიწყო ი. ჟ-ის აღმავლობა რუსეთში. XIX ს. II ნახევარში რუს. ისტ. ფერწერაში გაბატონებული იყო ზელოდრამ. ხასიათის სურათები, რ-ებიც ძალადობის მსხვერპლთ თანაუგრძნობდა. გაღვივდა მხატვართა ინტერესი სამშობლოს ისტორიისადმი, ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ ისტ. დრამ. წინააღმდეგობები (ვ. შვარცი, ნ. გე, ნ ნევრევი, ა. კივშენკო, მ. ანტოკოლსკი). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. რეპინის შემოქმედება („ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე“, 1885 და „ზაპოროჟიელები“, 1878—91). ხალხის მასების ისტორია ვ. სურიკოვის შემოქმედების ძირითადი თემაა („სტრელცების დასჯის დილა“, 1881; „ბოიარინია მოროზოვა“, 1887; „ციმბირის დაპყრობა ერმაკის მიერ“, 1895).

XIX ს. ბოლოს ი. ჟ-ში შეიმჩნევა მობრუნება ყოფითი კონკრეტულობიდან ამაღლებული სახეებისაკენ (ფრანგი მოქანდაკე ო. როდენის კომპოზიცია „კალეს მოქალაქენი“, 1884—86). ძლიერდება წარსულის ლირიკული აღქმა, ეპოქის სულიერი განწყობილების გადმოცემა (მ. ნესტეროვი, მ. ვრუბელი, ნ. რერიხი). ძვ. რუს. ყოფა ღრმა ლირიზმით, მკვეთრი თავისებურებით, ზოგჯერ გროტესკულადაც აისახა ს. ივანოვის, ვ. სეროვის სურათებში. „მირ ისკუსსტვას“ გრაფიკოსები (ა. ბენუა, კ. სომოვი, ე. ლანსერე) თანამედროვეობას ძვ. დროის თავისებურების ამსახველი ლამაზი, პოეტური სურათებით დაუპირისპირდნენ. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ი. ჟ-ში დიდ ადგილს იკავებს რევ. ბრძოლის, პროლეტარიატისა და გლეხთა მოძრაობის თემები (გერმ. მხატვრის კ. კოლვიცის გრაფ. ციკლი „ფეიქართა აჯანყება“, 1897—98 და „გლეხთა ომი“, 1903—08; ს. ივანოვის, ი. ბროდსკის, ვ. მაკოვსკის, ა. მორავოვის სურათები). XX ს-ში ი. ჟ-მა შეიძინა მძაფრი პოლიტ.

ისტორიული ჟანრი. ვ. ფ ა ვ ო რ ს კ ი. „კუტუზოვი“. გრავიურა ხეზე. 1945.

ისტორიული ჟანრი. ა. მ ა ნ ტ ე ნ ი ა. „ეპისრის ტრიუმფი“. კარტონი. 1485—88. ტემპერა-კორტი. ლონდონი.

ულერადობა. მხატვრები ასახავენ კლასობრივ წინააღმდეგობებს, რისთვისაც მიმართავენ გროტესკს, სოც. სატირას, მძაფრ ტრაგიკულ ექსპრესიას (გერმ. მხატვრების ო. დიქსის, ჟ. გროსის, ჰ. გრუნდიგის ნამუშევრები; მექსიკელი დ. რივერასა და დ. სიკეიროსის ფრესკები). ზუსტად და ცხადად გამოიკვეთა პოლიტ. იდეა რ. გუტუზოს, ა. ფუჟერონის ნამუშევრებში.

სსრკ-ში ი. ჟ-თვის დამახასიათებელია ობიექტურობა და ისტ. კონკრეტულობა, პარტიულობა, ისტ. მამოძრავებელ კანონზომიერების მარქსისტულ-ლენინური გაგება, ხალხის როლის სწორად ჩვენება. საბჭ. ი. ჟ-ში წამყვანი ადგილი დაიჭირა ისტ.-რევ. თემატიკამ: ა. დეინეკას „პეტროგრადის დაცვა", 1928; ბ. იოგანსონის „კომუნისტების დაკითხვა", 1933 და „ურალის ძველ ქარხანაში", 1937; ლენინისადმი მიძღვნილი ი. ბროდსკის ტილოები; ა. გერასიმოვის, ი. გრაბარის სურათები; ი. შადრის, ა. მატვეევის ქანდაკებები და სხვ. დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) საბჭ. მხატვრების შემოქმედების მთავარი თემა გახდა ხალხის გმირული ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ (პ. კორინის, კუკრინიქსების, ა. ბუბნოვის სურათები). ომის შემდეგი წლების ნამუშევრები ეძღვნება ვ. ი. ლენინსა და ქვეყნის რევ. ისტორიას, სოციალიზმისათვის ბრძოლას, გამოჩენილ საბჭ. მოღვაწეებს (ბ. იოგანსონის და სხვ. „ვ. ი. ლენინის გაწოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე", 1950). საინტერესო ტილოები შექმნეს ფერმწერებმა (ვ. სეროვი, მ. სავიცკი და სხვ.), მოქანდაკეებმა (ნ. ტომსკი, ე. ვუჩეტიჩი, ი. მიკენასი და სხვ.), გრაფიკოსებმა (ვ. ფავორსკი, ე. კიბრიკი, ვ. კასიანი და სხვ.). სხვა სოციალ. ქვეყნების ი. ჟ-ის ნაწარმოებებში აისახა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, სოციალ. საზ. ურთიერთობების გამარჯვება (ი. პეტროვი — ბულგარეთი, მ. ლენგნერი — გდრ, ა. ჩუკურენკუ — რუმინეთი და სხვ.; მოქანდაკეები კ. დენიკოვსკი — პოლონეთი, ფ. კრემერი — გდრ). განუზომელია ი. ჟ-ის მნიშვნელობა პატრიოტიზმის, პროლეტ. ინტერნაციონალიზმის აღზრდის საქმეში, ოპტიმიზმისა და კომუნიზმის იდეალების საბოლოო გამარჯვების რწმენის დამკვიდრებაში.

ქართ. ხელოვნებაში ი. ჟ-ის ჩანასახები გვხვდება XIV—XV სს. მინიატიურებში, რ-ებიც ასახავენ სამეფო კარის ყოფას, ბრძოლებისა და ლაშქრობების ამბებს და ამრიგად მეტად საინტერესო დოკუმენტურ მასალას შეიცავენ. თანამედროვე სახვით ხელოვნებაში ისტ.-რევ. თემატიკას პირველად მ. თოიძემ მიმართა („რევოლუცია", 1917, სურათი დაკარგულია). ქართ. ი. ჟ-ის ფუძემდებლად შეიძლება მივიჩნიოთ მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი („თამარ მეფე", 1917, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი; „ერწანისის ომი", საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმი და სხვ.). ისტ. თემებით გატაცებული იყო ს. მაისაშვილი, რ-მაც შექმნა დიდი ტილო „გორგი სააკაძის ბრძოლა ირანელებთან მარაბდის ველზე" (1941; სასტუმრო „ინტურისტი"). ისტ.-რევ. ჟანრის ოსტატია ა. ვეფხვაძე („სტალინის გადასახლება ბათუმიდან 1903 წელს", 1943, საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმი). ისტ. თემატიკას მიმართა აგრეთვე ლ. გუდიაშვილმა („საკადრისი პასუხი", 1945, მხატვრის საკუთრება; „ლეგენდა თბილისის დაარსებაზე", 1946, თბილ. მასწავლებელთა სახლი; „ბექა და ბეშქენ ოპიზრები", 1946, მხატვრის საკუთრება). ი. ჟ-ში მუშაობენ აგრეთვე დ. გაბაშვილი, კ. მახარაძე, დ ხახუტაშვილი, მ. ბერძენიშვილი, ე. ამაშუკელი, გ. ოჩიაური და სხვ.

ლიტ.: ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნება, თბ., 1973; Беридзе В. В., Езерская Н. А., Искусство Советской Грузии. 1921—1970, М., 1975; Русская историческая живопись до октября 1917 года. [Альбом], М., 1962; Черейская М. Г. Советская историческая живопись, М., 1969.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 272—273.

ისტორიული რუკები, გეოგრაფიული რუკები, რ-ებშიც ასახულია საზოგადოებრივი განვითარების წარსული ეპოქების მოვლენათა კონკრეტული სივრცე და მისი დროული ცვლილებადობა. თემატიკით განარჩევენ არქეოლ., ეთნოგრ., ისტ.-ეკონ., ისტ.-პოლიტ., ისტ.-რევ., სამხ.-ისტ. და უძველეს კულტურათა რუკებს. ისტ. წარსულში შედგენილი, თავისი დროის ამსახველი რუკა ისტორიულად არ ითვლება. ი. რ. მისი შექმნის მომენტშივე ასახავს ისტ. წარსულს. ი. რ. პირველად შევიდა XVI ს-ში ფლამანდელი კარტოგრაფის ა. ორტელიუსის „ანტიკური სამყაროს გეოგრაფიულ ატლასში" (1579). XVII—XVIII სს-ში ი. რ. გვხვდება ფრანგი კარტოგრაფების ატლასებში (სანსონები, დიუვალი, ჟ. ბ. დ'ანვილი), რუსეთში XVIII ს. I მეოთხედიდან არის ცნობილი (1700—21) ჩრდილოეთის ომში რუს. ჯარების საბრძოლო მოქმედების ამსახველი გეგმები, სქემები და რუკები თანდართული განმარტებითი ტექსტებით. რუსეთში სხვადასხვა დროს გამოცემულია მრავალი ისტ. ატლასი და სამხ.-ისტ. რუკა. ი. რ. შევიდა თანამედროვე მრავალტომიან ისტ. მონოგრაფიებში, თემატურ ატლასებში, ენციკლოპედიურ გამოცემებსა და ცალკეულ ისტ. გამოკვლევებში. მეტად საინტერესო გამოცემაა „ლენინი. ისტორიულ-ბიოგრაფიული ატლასი" (1970).

პირველი ქართული ი. რ. შესულია ვახუშტის ატლასში (1745). ერთ-ერთი მათგანი ასახავს საქართვ. საერისთავოებს მეფე ფარნაოზის დროს, ძვ. წ. IV—III სს-ში. 1923 გამოვიდა ი. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორიული რუკა". საქართვ. ი. რ. დაერთო ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ შედგენილ საქართვ. ისტ. სახელმძღვანელოს (1940). „საქართველოს სსრ ატლასში" (1964) შესულია 15 ისტ. რუკა. *ე. ზაუტაშვილი.*

ისტორიული სკოლა, ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიმართულება, რ-იც აღმოცენდა XIX ს. 40-იან წლებში გერმანიაში, სკოლამ სახელწოდება მიიღო ვულგ.-ისტ. მეთოდისაგან, რ-ის შემოღებას პოლიტეკონომიაში ცდილობდნენ მისი თეორეტიკოსები. ი. ს-ის ფუძემდებლები იყვნენ: ვ. როშერი („პოლიტიკური ეკონომიის მოკლე საფუძვლები ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით", 1843), ბ. ჰილდებრანდი („აწმყოსა და მომავლის პოლიტიკური ეკონომია", 1848), კ. კნისი („პოლიტიკური ეკონომია ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით", 1853). ბურჟ. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის „ბუნებრივი წესრიგის" მეთოდის საწინააღმდეგოდ ი. ს-მ წამოაყენა ახ. „ისტორიული მეთოდი", რ-ის მიზანი იყო გერმანიაში კაპიტალიზმისა და ფეოდალიზმის გადმონაშთების დაცვა.

ი. ს-ის თეორეტიკოსები კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების გავლენით მხოლოდ სიტყვით მიიჩნევდნენ სოც.-ეკონ. მოვლენათა ისტ. ხასიათს. ისინი ისტ. მეთოდის დახმარებით ცდილობდნენ დაესაბუთებინათ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და კაპიტალ. ექსპლუატაციის მარადიულობა. ამასთან, აღიარებდნენ მხოლოდ მეორეხარისხოვან სოც.-ეკონ. მოვლენებისა და პროცესების ევოლ. ცვლილებას და უარყოფდნენ წარმოების კაპიტალ. წესის რევ. გზით მოსპობის ობიექტურ აუცილებლობას. ი. ს. უგულებელყოფდა კლასიკური ბურჟ. პოლიტეკონ. ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას — იდეას ეკონ. კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ და ამ პოზიციიდან — ყველა კაპიტალ. ქვეყნისათვის საერთო ობიექტური ეკონ. კანონების არსებობას. ი. ს-ის წარმომადგენელთა აზრით, პოლიტეკონომიამ მარტივად, ყოველგვარი განზოგადების გარეშე უნდა აღწეროს ცალკეული ქვეყნის ეროვნ.-ეკონ. განვითარება და დასჯერდეს ქვეყნის სახ. მეურნ. ამსახველი ფაქტების შეგროვება-აღწერას. ისინი უარყოფდნენ კვლევის პროცესში აბსტრაქციის მეთოდის გამოყენების აუცილებლობას, რითაც ძირი გამოაცალეს პოლიტეკონომიას, როგორც მეცნიერებას, და იგი დაიყვანეს ყკონ. ისტორიის დონემდე. კ. მარქსმა სწორედ ამიტომ დაახასიათა ი. ს. როგორც პოლიტეკონომიის სამარე. ამ სკოლის თეორეტიკოსთა შრომებზე იგი წერდა: „ამგვარი შრომები მაშინ ჩნდებიან, როდესაც პოლიტიკურმა ეკონომიამ, როგორც მეცნიერებამ, თავისი გზა უკვე განვლო, ამიტომ ამასთან ერთად ასეთი შრომები ამ მეცნიერების სამარეა".

ი. ს-მ უარყო ეკონ. მოვლენათა მატერიალ. გაგება. კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა საწინააღმდეგოდ, რ-ებიც ეკონ. განვითარების მამოძრავებელ მოტივს პირად ეგოიზმში ხედავდნენ, მან წინა პლანზე დააყენეს ეთიკური, ფსიქოლ. და სამართლებრივი წყობილების ფაქტორები.

ი. ს-ის მიერ თეორ. კვლევის უარყოფასა და ემპირიული ისტორიზმის დაცვას თავისი მიზანი ჰქონდა. ამ სკოლის წარმომადგენლებს სწამდათ, რომ ტენდენციურად გაშუქებული ისტორია ხალხს შეაყვარებდა პრუსიის საუკუნეობრივ ფეოდალ. ტრადიციებს, რ-ებიც. კაპიტალ. გარსში იყო მოქცეული და ფეოდალიზმის ისტ. მემკვიდრეობას წარმოადგენდა.

ი. ს-ის ყველაზე უფრო რეაქციული ხასიათი განსაკუთრებით გამოიკვეთა პრუსიულ შოვინიზმში. ამ სკოლის რეაქციული, შოვინისტური იდეები XX ს-ში გამოიყენა გერმ. იმპერიალიზმმა და ფაშიზმმა. ი. ს-ის ბევრი დებულება (წარმოების სამი ფაქტორის თეორია, სუბიექტური ფასეულობის კონცეფცია და სხვ.) ნასესხებია ვულგარული ბურჟ. პოლიტეკონომიის სხვა სკოლებისაგან. XIX ს. 70—80-იან წლებში ი. ს. განიდევნა უახლესი და, ბურჟუაზიის თვალსაზრისით, უფრო ეფექტური სკოლების მიერ, თუმცა ი. ს-ის ზოგიერთ იდეას იყენებენ თანამედროვე ბურჟ. პოლიტ. ეკონომიაში.

ლიტ.: მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1[illegible], თბ., 1954; მინიევ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 3, თბ., 1975; ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ნაკვ. 1, თბ., 1973.

რ. კაკულია.

ისტორიული სკოლა სამართალში, სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მიმდინარეობა XIX ს. I ნახევარში, უმთავრესად გერმანიაში. სკოლის დამფუძნებელია გ. ჰუგო (1764—1844), ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან ფ. *სავინი* და გ. *პუხტა.* ი. ს. სამართ. უმნიშვნელოვანეს წყაროდ აღიარებდა *ჩვეულებას,* უარყოფდა კოდიფიკაციას. სამართალს წარმოსახავდა როგორც „ხალხის სულის" თანდათანობითი განვითარების შედეგს. მიაჩნდა, რომ სამართალი ენის მსგავსად ვითარდება. ი. ს., *ბუნებითი სამართლის* დოქტრინისაგან განსხვავებით, იცავდა ფეოდ. წესწყობილებას. კ. მარქსი წერდა, რომ ესაა „სკოლა, რომელიც დღევანდელ სისაძაგლეს გუშინდელი სისაძაგლით აკანონებს, სკოლა, რომელიც ყმის ყოველგვარ ყვირილს მათრახის წინააღმდეგ ამბოხებად აცხადებს, თუკი ეს მათრახი ძველთაძველი, მემკვიდრეობითი, ისტორიული მათრახია" (მარქსი კ., ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი, თბ., 1971, გვ. 6). ი. ს-ის ზოგიერთმა დებულებამ გავლენა მოახდინა ბურჟ. იურისპრუდენციის სოციოლოგიური მიმართულების ჩამოყა-

ლიბებაზე. მისი წარმომადგენლების რეაქციულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს ფართოდ იყენებდნენ გერმ. ფაშისტები.

ისტორიული წრებრუნვის თეორია, საზოგადოებრივი განვითარების არამარქსისტული კონცეფცია სივრცეში თანაარსებული და ერთმანეთის შემცვლელი სხვადასხვა საზოგადოების წარმოშობის, აღმავლობის, დაცემისა და დაღუპვის ჩაკეტილი, ციკლური ხასიათის შესახებ; განვითარების პრინციპს იყენებს ლოკალური და არა მსოფლიო-ისტ. პროცესების მიმართ. გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში და ანტ. საზ-ბაში (პლატონი, არისტოტელე, პოლიბიოსი). ი. წ. თ-ის გავრცელება განაპირობა პოლიტ. ფორმების ხშირმა ცვლამ, შედარებით ნელმა სოც.-ეკონ. განვითარებამ და მეცნიერების დაბალმა დონემ. ი. წ. თ. შეიცავდა დადებით ელემენტებსაც. მაგ., ისტ. პროცესის ერთიანობის მიხვედრას.

ახ. დროში ი. წ. თ-ის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან მაკიაველი, კამპანელა და ვიკო. XIX ს. უკანასკნელ მეოთხედამდე ამ თეორიას არ ჰყოლია გამოჩენილი მკვლევარი. XX ს. დასაწყისიდან ი. წ. თ. ხდება ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფილოს.-ისტ. კონცეფცია, რ-ის წარმომადგენლები უარყოფენ კანონზომიერ მსოფლიო-ისტ. განვითარებას და წინასწარმეტყველებენ კაცობრიობის დაღუპვას (ბ. ადამსი, ე. მაიერი, მ. როსტოვცევი, ო. შპენგლერი, ა. ტოინბი და სხვ.). ამ პერიოდში ი. წ. თ-ის აღორძინება განაპირობა აღმავალი ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმის ლრმა პესიმიზმით შეცვლამ, რაც თანამედროვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამოხატულებაა.

ი. წ. თ-ის სოც. და გნოსეოლოგიური ფესვები ამხილა ვ. ი. ლენინმა, რ-მაც მისი პესიმისტური შინაარსი დაუკავშირა რეაქციული ბურჟუაზიის შიშს მომავლის წინაშე. ი. წ. თ-ის არამეცნ. ხასიათს ააშკარავებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზ.-ეკონ. ფორმაციების შესახებ.

ლიტ.: კალანდარიშვილი ვ., საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება, თბ., 1974; კოდუა ე., ისტორიის ფილოსოფია, თბ., 1966; ნაჭყებია ი., საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორია, თბ., 1969.

ვ. კალანდარიშვილი.

ისტორიული წყარო, ადამიანთა საზოგადოების მიერ წარსულში შექმნილი მატერიალური კულტურის საგნები, წერილობითი ძეგლები და საერთოდ ყველაფერი, რაც უშუალოდ ასახავს ისტორიულ პროცესს და საზოგადოების წარსულის, ხალხთა ადათების, ენის შესწავლის საშუალებას იძლევა. საზ-ბის განვითარების ისტორიის მეცნ. შესწავლა შეუძლებელია ი. წ-ს ლრმა, დიალექტ. კვლევის გარეშე. ფართო გაგებით, ი. წ-თა რაოდენობა პრაქტიკულად განუსაზღვრელია, მაგრამ სხვადასხვა ისტ. ეპოქებიდან შემორჩენილი წყაროების რიცხვი თანაბარი არ არის. მაგ., პირველყოფილი პერიოდის ამსახველი ი. წ-ები ნაკლებად არის წარმოდგენილი. ისინი ძირითადად ნივთიერი წყაროებია, რ-ებსაც არქეოლოგია შეისწავლის. კლასობრივი საზ-ბის ისტორიის შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა წერილობით წყაროებს ენიჭება. ი. წ-ებს პირობითად 6 ჯგუფად ყოფენ. ესენია: წერილობითი, ნივთიერი, ეთნოგრ., ლინგვისტური, ზეპირი, კინო-, ფონო- და ფოტომასალები. ისტორიკოსები ხშირად ი. წ-დ გეოგრაფიის, ანთროპოლოგიის და სხვ. მეცნიერებათა მონაცემებს იყენებენ. წერილობითი ი. წ-ები როგორც ხელნაწერები (ქვაზე, პერგამენტზე, ქაღალდზე და სხვ.), ისე გვიანდ. ისტ. პერიოდების ბეჭდვითი, ყველაზე მრავლად არის წარმოდგენილი. მათ განასხვავებენ წარმოშობის (სახელმწ., სამამულო, საფაბრიკო-საქარხნო, საუწყებო, პირადი და სხვ. საარქივო მასალა), შინაარსისა და დანიშნულების (სტატისტიკ.-ეკონ. მასალა, იურიდ. აქტები, საქმისმწარმოებლური საბუთები, სამართ. ძეგლები, დიპლ. და სამხ. დოკუმენტაცია, სასამართლო-სამძებრო საქმეები, პერიოდული პრესა და სხვ.) მიხედვით. დოკუმენტური ი. წ. კონკრ. ფაქტებს ასახავს. თხრობითი ხასიათის ი. წ. (მატიანეები, ისტ. მოთხრობები და სხვ.) ისტ. მოვლენებს იმ სახით გადმოგვცემს, როგორც ისინი ავტორებმა გაიაზრეს. ამ ხასიათის ი. წ. ხშირად სანდო არ არის, მაგრამ ისტ. მოვლენებს თანამიმდევრულად წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ყოფის, ადათების, ჩვეულებების ამსახველი ი. წ. და ფოლკლორი.

ი. წ-ს კლასიფიკაციის, წარმოშობის, ავტორობის, უტყუარობის, სისრულის საკითხებს სწავლობს *წყაროთმცოდნეობა.*

ლიტ.: Голубцов В. С., Мемуары как источник по истории советского общества, М., 1970; იხ. აგრეთვე სტ-თან წყაროთმცოდნეობა

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, შეისწავლის მონათესავე ენათა განვითარების გზებს შედარებითი მეთოდის მეშვეობით და წარმოადგენს ენათმეცნიერების, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების, საფუძველს. როდესაც მონათესავე ენებს სწავლობენ, შედარება საშუალებას წარმოადგენს, ენის (ენათა) ისტორია კი მიზანია. მონათესავედ მიაჩნიათ ისეთი ენები, რ-ებიც ერთი ენისაგან მომდინარეობენ, ერთი ენის დიალექტთა დიფერენციაციის პროცესში გაჩნდნენ. ენას, რ-ის დიფერენციაციის შედეგადაც მონათესავე ენები ჩნდება, ფუძე-ენა ჰქვია.

მონათესავე ენებში საერთოც შეინიშნება და განსხვავებულიც. საერთო, როგორც წესი, ფუძე-ენიდან მოდის; განსხვავება, როგორც წესი, განვითარების, დიფერენციაციის პროცესის შედეგად წარმოიქმნება. შედარებამ უნდა გვიჩვენოს, როგორ წარმოიქმნება ეს განსხვავება, შეგვაძლებინოს მონათესავე ენათა წარმოქმნის, მათი ისტორიის რეკონსტრუქცია.

მონათესავე ენათა შედარება გულისხმობს ლექსიკის (მარტივი ფუძეების ანუ ძირების), გრამატიკის (მორფემების), ფორმანტებისა და შესიტყვების (სინტაგმის) სტრუქტურის შესწავლას. შესაბამისად მივიღებთ მონათესავე ენათა შედარებითს (უკეთ: ისტ.-შედარებითს) ლექსიკონს, ასეთსავე ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს.

ისტ.-შედარებითს ლექსიკონში ერთმანეთს უდარებენ მონათესავე ენათა ისეთ სიტყვებს (ძირებს), ფორმანტებს, რ-თაც საერთო წარმოშობა აქვთ, ე. ი. ერთი და იმავე გრერითი მასალის ნაირსახეობას წარმოადგენენ, სულ ერთია, შეუნარჩუნებიათ ძვ. მნიშვნელობა, თუ უცვლიათ იგი. სვან. ჭაშ („ქმარი") შეესატყვისება და უნდა შევუდაროთ ქართ. კაც-ფუძეს („ჩემი კაცი" — „ჩემი ქმარი"): ჭაშკაჩ: კ გააფრიკატდა, ხოლო ჩ გასპირანტდა. ზანური ჯა „ხე" შეესატყვისება ქართ. ძელ-ს... ჭან. ი-ქთ-ენ ნიშნავს „ტრიალებს", მაგრამ შეესატყვისება ი-ქც-ევ-ი-ს ფუძეს (ძვ. ქართ. „მახვლი იქცევისი"-მახვილი, რ-იც ტრიალებს)...

დიფერენცირებული ვარიანტების საფუძველზე გამოყოფენ ბგერათა ფარდობებს ანუ შესატყვისობებს (მაგ., ქართ. ც, ძ, წ... ე, ა-ს ეფარდება ზანური ჩ, ჯ, ჭ... ა, ო). ანგარი ფარდობა საშუალებას იძლევა დავაკავშიროთ ზანური უჩშ- „უფროსი" და ქართ. ხ-უცესფუძე (ნ. მარი). ხ-უცეს-ი უფროსს ნიშნავდა (მღვდელმსახურთა შორის)... ინგლ. town „ქალაქი", გერმანულში იქნება Stadt. town და Stadt ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია, ოღონდ ფუძეა სხვადასხვა, ინგლ. town ფუძის ფარდი გერმ. Zaun „ღობე": თაუნ (ცაუნ) ღობეს, შემოკავებულ ადგილს ნიშნავდა ძველად (შდრ. город, град, ი-град-а).

ისტ.- შედარებითს ძიებას შეუძლია გაგვირკვიოს სიტყვის მეცნ. ეტიმოლოგია, რასაც კულტურისა და აზროვნების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. „სექტემბერი", ოდნავ სახეცვლილი ლათ. სეპტემ-ბერ (septem-ber), შეიცავს septem- „შვიდს", სექტემბერი მე-7 თვედ მიაჩნდათ, რადგანაც წლის პირველი თვე ძველად მარტი იყო.

ენათა განვითარება რომ დიფერენციაციის პროცესებით ამოიწურებოდეს, ენის ყოველი მსარე (ლექსიკა, ბგერები, სიტყვის ფორმები...) რომ თანაბარი ტემპებით იცვლებოდეს, ი.-შ. ე. ენის ისტ. ზედმიწევნითსა და სრულ სურათს მოგვცემდა.

მაგრამ ეს პირობები არ მოგვეპოვება: ენის სხვადასხვა მხარე არათანაბრად ვითარდება, რაც მთავარია, დიფერენციაციის (დივერგენციის) პროცესების გარდა მოქმედებს ინტეგრაციის (კონვერგენციის) პროცესები, რ-ებიც საწინააღმდეგო მიმართულებისაა: თუ დივერგენცია ენათა სხვაობის ზრდაში გამოიხატება, კონვერგენციის შედეგად ენაში მატულობს საერთო მოვლენები.

ი.-შ. ე-ს არ მოეპოვება კონვერგენციის პროცესების შესასწავლი სპეც. მეთოდები; ი.-შ. ე., რ-იც დაფუძნებულია მხოლოდ დიფერენციაციის პროცესების შესწავლაზე, უკმარია ენის ისტ. შესწავლის თვალსაზრისით და ესაა მისი ძირითადი ნაკლი. არსებული ხარვეზის ამოვსებას ცდილობს „არეალური ლინგვისტიკა", ცნება „ენათა კავშირი". მაგრამ კონვერგენციის პროცესთა შესწავლისათვის საჭირო სპეც. მეთოდების საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება.

ხსენებული ნაკლის მიუხედავად, ი.-შ. ე-ს უკავშირდება ძირითადი მიღწევები, რ-ებიც ენის მეცნ. შესწავლას მოეპოვება. ენის ისტორიის დახმარება აუცილებელია ენის სისტემის აღწერისათვის.

ი.-შ. ე. მონათესავე ენების შესწავლის პროცესში წარმოიქმნა. მონათესავე ენები ფუძე-ენას ვარაუდობენ ამოსავლად, ფუძე-ენის რეალობა საეჭვოა. ამ ვარაუდიდან არ გამომდინარეობს, რომ ი.-შ. ე. მიზნად უნდა ისახავდეს ფუძე-ენის აღდგენას. ფუძე-ენის ამა თუ იმ თავისებურებას შეიძლება მივაკვლიოთ, მაგრამ მთლიანად ფუძე-ენის აღდგენა არარეალური ამოცანა იქნებოდა. ი.-შ. ე-ის ამოცანაა მონათესავე ენათა რეალური ისტორიის მეცნ. ზედმიწევნილობით კვლევა და სათანადო კანონზომიერებათა გამოვლენა და არა ფუძე-ენის, resp. წინარე-ენის, აღდგენა.

ლიტ.: შარაძენიძე თ., ენათა კლასიფიკაციის პრინციპები, თბ., 1958; ჩიქობავა ა., ზოგადი ენათმეცნიერება, [ტ.] 2 — ძირითადი პრობლემები, თბ., 1945; Макаев Э. А., Общая теория сравнительного языкознания, М., 1977; Мейе А., Сравнительный метод в историческом языкознании, пер. с франц., М., 1954; Общее и индоевропейское языкознание, М., 1956.

არნ. ჩიქობავა.

ისტრანჯა (Istranca), სტრანჯა, მთის მასივი ძირითადად საბერძნეთში, აგრეთვე ბულგარეთში (ბალკ. ნ.-კ-ის აღმ. ნაწილში). სიგრძე 150 *კმ*, სიმაღლე 1030 *მ*-მდე (მთა მახია). უმთავრესად აგებულია კრისტ. ფიქლებითა და გრანიტებით, აღმ.—კირქვებით. ჩრდ.-აღმ. კალთები შემოსილია მუხნარ-წიფლნარითა და ბუჩქოვანი ქვეტყით, სამხრ.-დას.—მარადმწვანე ბუჩქნარით.

ისტრია, ისტრა (იტალ. Istria, სერბ.-ხორვ. Istra), ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში, ბალკანეთის ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში, ტრიესტისა და რიეკის ყურეებს შორის, იუგოსლავიაში და ნაწილობრივ იტალიაში. ფართ. 3,7 ათ. *კმ*². ზედაპირი ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-

ი. ისფაჰანლი.

ა. ისქანდეროვი.

ისტრიე. საწყობებისა და მაღაზიების ანსამბლი ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. VI ს. უკანა პლანზე—რომაული ხანის თერმები. გათხრილია 1951.

დას-კენ დახრილი დაკარსტული პლატოა. უმთავრესად აგებულია მეზოზოური კირქვებით. მაქს. სიმაღლე 1396 *მ* (მთა უჩკა). ჰავა ხმელთაშუა ზღვისაა. მცენარეულობით ღარიბია, ხარობს უმთავრესად ხმელთაშუა ზღვის მცენარეულობა. ი-ზეა ქ-ები ტრიესტი (იტალია), პულა (იუგოსლავია).

ისტრია (ბერძნ. Istriē, Istros), ძვ. ბერძნული ქალაქი შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე (ახლანდ. რუმინ. ტერიტორიაზე). დაარსდა ძვ. წ. VII ს. II ნახევარში. აყვავებას მიაღწია ძვ. წ. VI—V სს-ში. ძვ. წ. I ს. შუა წლებში ი. დაიპყრეს გეტებმა, ხოლო ძვ. წ. 27 იგი რომის იმპერიაში შევიდა. III ს-ში ი. გაანადგურეს გუთებმა, მაგრამ მალე აღდგა და იარსება VII ს-მდე. ამ ციროისათვის სანაპირო მოისილა (და ქალაქმა დაკარგა ზღვაზე გასასვლელი, რის შედეგადაც დაქვეითდა მისი, როგორც სავაჭრო ცენტრის, მნიშვნელობა და ი. თანდათან დაცარიელდა. 1914-იდან აქ ხანგამოშვებით მიმდინარეობდა არქეოლ. გათხრები, რის შედეგადაც აღმოჩნდა ზღუდის (ძვ. წ. IV ს.), აფროდიტეს ტაძრის (ძვ. წ. V ს.), თერმების (III—IVსს.), საცხოვრ. ნაგებობათა და სხვ. ნაშთები. ამჟამად ი. არქეოლ. ნაკრძალად ითვლება.

ისტრუ ბოგდან სპირიდონის ძე [დ. 31. III (13. IV). 1914, სოფ. პისტრუენის მახლობლად, ტელენეშტის რ-ნი, მოლდ. სსრ], მოლდაველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1947-იდან. ი-ს ლექსთა პირველი კრებულებია „დაფიცება“ (1937) და „არწივის სიკვდილი“ (1938). მოლდ. სსრ-ის შექმნა და გერმ. დამპყრობლებთან ბრძოლა აისახა მის ლექსთა კრებულებში („სამშობლოს ხმა“, 1946; „მშვიდობის ხეიანი“, 1953) და პოემებში. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

ისულა, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ტეხურის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 12 *მ*, ცხაკაიადან 4 *კმ*. ტეხურის მეცხოველეობის, საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა, საშ. სკოლა ქ. ცხაკაიაში. კლუბი, საფოსტო განყ-ბა. ი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ისუნდერი, სოფელი ცაგერის რ-ნში (ზუბის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის ხეობის მარჯვ. ფერდობზე. ზ. დ. 690 *მ*, ცაგერიდან 20 *კმ*. უსახელოს მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი. ი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია ციხესიმაგრე, რ-იც, ვარაუდით, ადრინდ. ფეოდ. ხანაშია აგებული.

ისფარა, ქალაქი (1952-მდე დაბა) ტაჯ. სსრ ლენინაბადის ოლქში, მდ. ისფარის ნაპირზე. რკინიგზის სადგური ქანიბადამ—შურაბის ტოტზე. ხილსაკონსერვო და ხორცის კომბინატები, სპირტის, რძის, საკვები ბიომიცინის, მინერ. საღებავების, ელექტრომექან. და სამშენებლო თაბაშირის ქ-ნები.

ისფაჰანლი იბრაჰიმ ჰუსეინ-ოღლუ (1887, თბილისი, — 10. X. 1967), აზერბაიჯანელი საბჭ. მსახიობი, რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1931). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, სცენისმოყვარეთა წრეში. 1921-იდან იყო თბილ. აზერბ. დრამის თეატრის მსახიობი და რეჟისორი. 1928—34 გამოდიოდა ბაქოს აზერბ. თეატრის სცენაზე. 1937—39 კვლავ თბილ. აზერბ. დრამის თეატრში მოღვაწეობდა, როლებიდან აღსანიშნავია: იაგო, ოტელო, ჰამლეტი („შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“), ფრანც მოორი („შილერის „ყაჩაღები“), ჯაფარი („ჯაბარლის „ცეცხლის საცოლე“), ანზორი („შანშიაშვილის „ანზორი“) და სხვ.

ისქანდერ მუნში, ისქენდერ-ბეგ თორქმანი (1560/61—1634), ირანელი ისტორიკოსი, წარმოშობით აზერბ. თორქმანის ტომიდან. მსახურობდა შაჰ-მოჰამედ ხოდაბანდესთან ცხენოსანი ღოლამების კორპუსში. 1592/93 „უმაღლესი დივანის“ „დიდი მდივნების“ რიგებში ჩარიცხეს. მონაწილეობდა შაჰ-აბას I-ის ლაშქრობებსა და მოგზაურობებში. მას ეკუთვნის თხზ. „ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა“ (წგნ. 1—2, თეირანი, 1956—57). ი. მ-ს ხელი მიუწვდებოდა შაჰის არქივზე და თავის თხზულებაში ფართოდ გამოიყენა საარქივო მასალა. თხზულება მნიშვნელოვანი პირველწყაროა XVI ს. და XVII ს. I მესამედის საქართვ. ისტორიისათვის. მასში საინტერესო ცნობებია დაცული ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ. ამ თხზულებით სარგებლობდა XVII ს. ქართვ. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.

1629 ი. მ-ს სეფი I-ის დავალებით დაიწყო წერა თხზულებისა — „გაგრძელება აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიისა“. თხრობა წყდება 1634 ამბებზე. ამ თხზულებაშიც საყურადღებო ცნობებია საქართველოს შესახებ.

თხზ.: ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგნ. 1 — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945; П е т р у ш е в с к и й И. П., Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI — начале XIX вв., Л., 1949.

დ. კაციტაძე.

„ისქანდერნამე“ („ალექსანდრე მაკედონელის წიგნი“), ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ფსევდოკალისთენეს რომანის აღმოსავლური რედაქციები. ფალაური, სირიული და არაბ. ქრონიკები საფუძვლად დაედო ახ. სპარსულ ენაზე შექმნილ მრავალრიცხოვან ვერსიებს (ბალამი, ფირდოუსი, ხალხური რომანები). პირველი ვრცელი პოემა „ი.“ ეკუთვნის *ნიზამი განჯეველს* (XII ს.), რ-საც წერილობითი წყაროების გარდა გამოუყენებია ამიერკავკასიაში გავრცელებული ზეპირი გადმოცემები. პოემაში ნახსენებია აფხაზთა (ქართველთა) სამეფოც. შემდგომში შექმნილ ვერსიათა-ვან აღსანიშნავია *ხოსროვ დეჰლოველის* (XIII ს.), *ჯამის* (XV ს.) და *ნავოის* (XV ს.) პოემები. ქართულად ჯერ კიდევ XI ს-მდე უნდა არსებულიყო უშუალოდ ბერძნულიდან გადმოღებული ვერსია (იხ. *„ალექსანდრეს რომანი“*). XVIII ს-ში შექმნილი ქართ. *„ალექსანდრიანის“* პროზაული (არჩილის) და პოეტური (ჩხატარაისძის) ვერსიები სერბიულ-რუსულ წყაროებს უკავშირდება.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; Б е р т е л ь с Е. Э., Роман об Александре и его главные версии на Востоке, М.—Л., 1948.

ა. გვახარია.

ისქანდეროვი ადილ რზა-ოღლუ (დ. 10. III. 1912, განჯა, ახლანდ. კიროვაბადი), აზერბაიჯანელი საბჭ. რეჟისორი, მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1959). სკკპ წევრი 1940-იდან. 1936 დაამთავრა მოსკ. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნ. ინ-ტი. 1937—60 იყო მ. აზიზბეკოვის სახ. აზერბ. თეატრის (ბაქო) მთავარი რეჟისორი და დირექტორი. დადგმები: ს. ვურღუნის „ვაგიფი“ (1938) და „ფარჰად და შირინი“ (1941), ე. მამედხანლის „აღმოსავლეთის დილა“ (1948, სსრკ სახელმწ. პრემია), ჯ. ჯაბარლის „1905 წელს“ (1954) და სხვ. 1961-იდან მოღვაწეობს აზერბ. კინოში როგორც მსახიობი და რეჟისორი. 1937-იდან მ. ალიევის სახ. აზერბ. თეატრ. ხელოვნების ინ-ტის პედაგოგია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ისქენდერუნი (Iskenderun), ალექსანდრეტა, ქალაქი სამხრ.-აღმ. თურქეთში, ჰათაის ვილაიეთში. ნავაადგური ისქენდერუნის ყურის (ხმელთაშუა ზღვა) აღმ. ნაპირზე. 107 ათ. მცხ. (1975). ტოტით უკავშირდება ადანა—ჰალაბის (სირია) რკინიგზას. საფეიქრო და კვების მრეწველობა, მინერ. სასუქების წარმოება. სამხ.-საზღვ. ბაზა. სსრკ-ის დახმარებით შენდება (1978-იდან) მეტალ. ქ-ნა (პირველი რიგი დამთავრებულია).

იტალია (Italia), იტალიის რესპუბლიკა (La Republica Italiana).

I. ზოგადი ცნობები

ი. — სახელმწიფო სამხრ. ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრ. ნაწილში. ი-ს დას-ით აკრავს ლიგურიისა და ტირენის ზღვები, სამხრ-ით — იონიის, აღმ-ით — ადრიატიკის. ჩრდ-ით ესაზღვრება საფრანგეთი, შვეიცარია, ავსტრია, ჩრდ.-აღმ-ით — იუგოსლავია. ი-ის ტერიტ. მოიცავს ალპების სამხრ. კალთებს, პადანის ვაკეს, აპენინის ნ.-კ-ს, სიცილიას, სარდინიას და მრავალრიცხოვან წვრილ კუნძულებს. ფართ. 301,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 56,7 მლნ. კაცი (1978). დედაქალაქი — რომი. სახელმწ. ენა — იტალიური. ეროვნ. დღესასწაულია 2 ივნ. — რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1946). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია ლირა. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 მაისი) 10000 იტალ. ლირა = 7.70 მანეთს. ადმინისტრაციულად ი. იყოფა 20 ოლქად.

II. სახელმწიფო წესწყობილება

ი. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1947 კონსტიტუცია. საკანონმდებლო სელისუფლებას ეკუთვნის პარლამენტს, რ-იც ორი პალატისაგან შედგება: დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან (მოსახლ. ორივე პალატას 5 წლით ირჩევს). საარჩევნო უფლება მოქალაქეებს ეძლევათ 21 წლიდან. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ირჩევენ პარლამენტის ორივე პალატის გაერთ. სხდომაზე 7 წლით. პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილება აქვს. იგი სცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი, არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და სხვ.

აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს მინისტრთა საბჭო (მთავრობა). მთავრობის თავ-რესა და მინისტრებს (თავ-რის წინადადებით) ნიშნავს პრეზიდენტი. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

კონსტ. თანახმად 5 ოლქს (სიცილია, სარდინია, ვალე-დ'აოსტა, ტრენტინო-ალტო-ადიჯე და ფრიული-ვენეცია-ჯულია) აქვს სპეც. სტატუტი. ამ ოლქებს საკუთარი პარლამენტები — საოლქო საბჭოები და მთავრობა (ჯუნტები) ჰყავს, რ-თაც საკანონმდებლო უფლებები აქვთ მხოლოდ ადგილ. მმართველობის სფეროში. ჩვეულებრივი სტატუტის ოლქებს კი საკუთარი საბჭოები აქვს. პროვინციებსა და კომუნებში (პროვ. და კომუნ. საბჭოები) არის არჩევითი ორგანოები. გარდა ამისა, პროვინციებს აქვთ ადმ. ორგანოები —პრეფექტი და პრეფექტურის საბჭო, რ-ებსაც ნიშნავს პრეზიდენტი.

სასამართლო სისტემაში შედის: უმაღლესი საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა სასამართლოები (სამომრიგებლო, პრეტორიები და ტრიბუნალები), სისხლის სამართლის სასამართლოები (პრე-

ტორიები, ტრიბუნალი და *ასიზების* სასაჭართლოები) და საეკლესიო სასამართლოები. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს *კონსტიტუციურ სასამართლოს*.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

III. ბუნება

ი. მდებარეობს ზომიერი სარტყლის ტყის ზონისა (ჩრდ-ით) და სუბტროპ. სარტყლის (სამხრ-ით) ფარგლებში. მის ბუნებაზე დიდ გავლენას ახდენს ხმელთაშუა ზღვა. ნაპირები სუსტადაა შეჭრილ-შემოჭრილი, ცოტაა მოხერხებული უბე. ყველაზე ჩეტადაა დანაწევრებული აპენინის ნ.-კ-ის სამხრ. სანაპირო. სანაპირო ზოლის სიგრძეა დაახლ. 7,5 ათ. *კმ*.

ტერიტ. დაახლ. 4/5 უჭირავს მთებსა და მაღლობებს. ჩრდ-ით გადაჭიმულია *ალპები* (მთა მონბლანი, 4807 *მ* — ი-ის უმაღლესი წერტილი), მის სამხრ-ით *პადანის ვაკეა*, რ-იც თანდათან ეშვება ადრიატიკის ზღვისაკენ. პადანის ვაკის სამხრ-ით, აპენინის ნ.-კ-ის გასწვრივ, თითქმის 1200 *კმ*-ზე გადაჭიმულია *აპენინები* (მთა ეორნო, 2914 *მ*). კ-ები უმთავრესად მთიანია. ი-ში რამდენიმე ცნობილი ვულკანია,). შ. *ვეზუვი* (1277 *მ*), *ეტნა* (3340 *მ*), *ტრომბოლი*, ვულკანო. შუა და სამხრ.]-ში ხშირია მიწისძვრა (მესინის — 1908, ციცილიის — 1968).

სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშ-ავია ქვანახშირი, ლიგნიტი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ტყვიის, თუთიისა და რკინის მადანი, ბოქსიტი, პირიტი, ვერცხლისწყლის მადანი, გოგირდი, მარმარილო.

ჰავა ი-ის დიდ ნაწილში სუბტროპიკულია, ხმელთაშუა ზღვისა, პადანის ვაკეზე — სუბტროპიკულიდან ზომიერში გარდამავალი. ზაფხული ცხელი იცის და მშრალი. ივლ. საშ. ტემპ-რა ალპების ძირში 20—22°C, პადანის ვაკეზე 22—24°C, აპენინის ნ.-კ-სა და კ-ებზე 23—28°C. *სიროკოს* როლვის დროს ტემპ-რა 40—45°C-ს აღწევს. ალპებში 3500 *მ*-ზე მაღლა ივლ. ტემპ-რა 0°C-მდე ეცემა. იანვ. საშ. ტემპ-რა ალპების ძირას და პადანის ვაკეზე დაახლ. 0°C, აპენინის ნ.-კ-სა და კ-ებზე 1-იდან 2°C-მდე, ალპებში ყინვა ზოგჯერ —15, -20°C-მდე აღწევს. ყველაზე უფრო ნოემბერ. ალპები და ჩრდ. აპენინები 3000 *მმ*-ზე მეტი ნალექი წელიწადში), გრეთვე მთების დას. კალთები. აღმ. კალთებზე და ი-ის შიგა რ-ნებში მოდის 600—800 *მმ* ნალექი წელიწადში, სიცილიისა და სარდინიის შიგა რ-ნებში — 500 *მმ*-ზე ნაკლები. ი-ის ტერიტორიაზე ალპებში 2000-ზე მეტი მყინვარია, მათგან უდიდესია ალეჯი (მონბლანის მასივი), სიგრძე 10 *კმ*.

მდინარეთა ქსელი ყველაზე ხშირია ჩრდ. ნაწილში, სადაც გადის ი-ის უდიდესი მდინარე პო (სიგრძე 652 *კმ*). პადანის ვაკეზე მიედინება მდ-ები ადიჯე, ბრენტა, ბიავე, ტალიამენტო, რენო და სხვ. აპენინის ნ.-კ-ის უდიდესი მდ-ებია არნო და ტიბრი. დიდი ტბების უმეტესობა (გარდა, ომო, ლაგო-მაჯორე და სხვ.) ლომბარდიის ალპების მთისწინეთშია, აპენინის ნ.-კ-ის უდიდესი ტბებია ბოლსენა, ბრაჩანო და სხვ.

ალპებში 800 *მ*-მდე მთის ფართოფოთლოვანი ტყეა, 800-იდან 1800 *მ*-მდე — ნიფლნარი და წიწვნარია მთა-ტყის ყომრალ და ნეშომპალა ნიადაგებზე; მაღლა— ბუჩქნარი, სუბალპ. და ალპ. მდელოები. მთა-მდელოს ნიადაგზე, თხემურ ნაწილში გაშიშვლებული კლდეები და შავებია. პადანის ვაკეზე უწინ მუხნარები, ჭალის მდელოები და ბუჩქნარი იყო ალუვიურ და ტყის ყომრალ ნიადაგებზე, ამჟამად ჭარბობს კულტ. მცენარეულობა. აპენინებში, სიცილიასა და სარდინიაში 500—600 *მ*-მდე ბარადმწვანე ქვამუხის, კორპის მუხის, ფინიისა და ალეპოს ფიჭვის კორომები და ბუჩქნარია უმთავრესად ყავისფერ ნიადაგზე, მაღლა, 1000—1500 *მ*-მდე ჭარბობს მთის ფართოფოთლოვანი ტყეები ყავისფერ და მთის მურა ნიადაგებზე. მაღალი მასივების ზემო უბნებში სუბალპ. მდელოებია მთა-მდელოს ნიადაგზე.

ცხოველები შემორჩენილია მხოლოდ მთაში. ალპებსა და აპენინებში ბინადრობს არჩვი, ველური კატა, კვერნა, ქრცვინი, ცენტრ. აპენინებში — მურა დათვი. გავრცელებულია კურდღელი, ციყვი, ფრინველთა 400-მდე სახეობა. ბევრია ქვეწარმავალი და თევზი.

ლიტ.: Галкина Т., Сысоева Н., Италия, М., 1972; Грацианский А. Н., Природа Средиземноморья, М., 1971.

IV. მოსახლეობა

მოსახლ. 98%-ზე მეტი *იტალიელები* არიან. ქვეყნის ჩრდ-ით და სასაზღვრო რ-ნებში ცხოვრობენ *რეტორომანელები* (ძირითადად ფრიულები), სამხრ. ტიროლელები (ავსტრიელები), ფრანგები, სლოვენები, ხორვატები. სამხრ. ი-ში და კ. სიცილიაზე — ალბანელები. ქვეყნის სამხრ-ით — ბერძნები, კ. სარდინიაზე — კატალონიელები, ებრაელები და სხვ.; ძირითადი რელიგიაა კათოლიკობა.

მოსახლ. რაოდენობით ი. II ადგილზეა დას. ევროპაში (გერ-ის შემდეგ). ყოველწლიურად ი-იდან ემიგრაციაში მიდის რამდენიმე ათეული ათასი კაცი.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 42% დასაქმებულია მრეწველობაში, 20%— სოფ. მეურნეობასა, თევზჭერასა და სატყეო მეურნეობაში, 30%-ზე მეტი — მომსახურების სფეროში და სხვა დარგებში. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 2/3 დაქირავებული შრომის პირია.

ი. ევრ. ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლ. ქვეყანაა. საშ. სიმჭიდროვეა 188 კაცი 1 *კმ*²-ზე (1978). მოსახლ. ყველაზე უფრო მჭიდროდ ცხოვრობს ქვეყნის ჩრდ. ნაწილში (300—380 კაცი 1 *კმ*²-ზე). მოსახლ. დაახლ. 60% ქალაქში ცხოვრობს, რ-თაგან უდიდესია რომი (2,9 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად — 3,8 მლნ., 1978), მილანი, ნეაპოლი, ტურინი.

V. ისტორიული ნარკვევი

ი-ის ტერიტორია დასახლებულია *პალეოლითის* ხანიდან. ი-ის უძველესი ტომები არიან: *ლიგურები, ეტრუსკები*, სიკანები (სიციალიში). ძვ. წ. II—I ათასწლ. აპენინის ნ.-კ-ზე დასახლდნენ *იტალიკები, ლათინებმა* და *საბინებმა* დააარსეს რომი (ტრადიციით ძვ. წ. 753—53). მათ ძვ. წ. V—III სს-ში აპენინის ნ.-კ. დაიპყრეს (იხ. *რომი* ძველი). 455 რომი დაარბიეს ვანდალებმა, 476 დას. რომის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. *ოდოაკრმა* დაამხო რომის უკანასკნელი იმპერატორის რომულ ავგუსტულის ხელისუფლება. 488 ი-ს შემოესივენ *ოსტგუთები*. ჩამოყალიბდა ოსტგუთების სამეფო (493—554). *თეოდორიხი* გუთებისა და იტალიკების მეფედ გამოაცხადეს. 535 ი-ში შეიჭრა ბიზანტ. არმია. ოსტგუთების მეფის *ტოტილას* ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად 554 ი-ის ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზანტიელებმა დაიპყრეს. ბიზანტ. იმპ. იუსტინიანე I-მა 554 გამოსცა *პრაგმატული სანქცია*, რ-ის მიზანი იყო რომის იმპერიის სოც.-ეკონ. ურთიერთობათა აღდგენა. 568 ჩრდ. ი-ში შევიდნენ *ლანგობარდები*. მათ გაანადგურეს და განდევნეს მონათმფლობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ჩამორთმეული მიწები დაინაწილეს. რომაულმა კერძო საკუთრებამ დააჩქარა ლანგობარდული თემის რღვევა. დაიწყო ფეოდალთა და დამოკიდებულ გლეხთა კლასების ჩამოყალიბების პროცესი. 756 ფრანკთა მეფემ *პიპინ მოკლემ* რავენის საეგზარქოსო, რომის დუკატი და პენტაპოლისი პაპს აჩუქა. შეიქმნა *პაპის ოლქი*. 774 ლანგობარდების სახელმწიფო *კარლოს დიდმა* დაიპყრო. ფრანკების ბატონობამ დააჩქარა ი-ში ფეოდ. ურთიერთობათა განვითარება. 781 ჩამოყალიბდა იტალ. სამეფო. ტახტი დაიკავა კარლოს დიდის ვაჟმა პიპინმა. 887-მდე ი. *კაროლინგებს* ემორჩილებოდა. დაქუცმაცებული ფეოდ. ი-ის მეფის ძალაუფლება ნომინალური იყო. ქ-ების ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები ეპისკოპოსები გახდნენ. IX ს. ბოლოდან დაიწყო გააფთრებული ბრძოლა ტახტისათვის იტალ., პროვანსისა და ბურგუნდიის ფეოდალებს შორის. გერმ. მეფის ოტო I-ის ლაშქრობათა (951 და 961 — 962) შედეგად დაპყრობილი ჩრდ. და შუა იტალ. ტერიტორიები 962 შექმნილ „საღვთო რომის იმპერიას“ შეუერთდა. ფეოდ. შინაომებმა, არაბთა (IX ს. შუა წლები, სამხრ. და შუა ი-ზე), უნგრელთა (IX ს. დამლევიდან, ჩრდ. ი-ზე) თავდასხმებმა დააჩქარეს თავისუფალ მიწათმფლობელთა გაჩანაგება. IX ს-ში დაიწყო გლეხთა დაყმევების პროცესი. ი-ის ფეოდალიზმის თავისებურებას წარმოადგენდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შენარჩუნება და მრავალრიცხოვანი ქ-ების არსებობა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა სოფელშიც ვითარდებოდა. IX—X სს-ში ხელოსნობა გამოეყო სოფ. მეურნეობას. ყალიბდებოდა ფეოდ. ქ-ები (ძირითადად რომაული ქალაქური ცივილიზაციის შემორჩენილი კერების საფუძველზე) — ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები. X ს-იდან ქალაქელებმა დაიწყეს სენიორ-ეპისკოპოსების წინააღმდეგ ბრძოლა. XI ს-ში სენიორთა ძალაუფლებისაგან განთავისუფლდა ასტი, ლუკა, პიზა, მილანი და სხვ. შეიქმნა *კომუნები*. XI—XII სს-ში ი-ის ქ-ებში ჩამოყალიბდა *ამქარი*. კომუნათა გამარჯვების შედეგად ძალაუფლება სენიორებიდან გადადიოდა კონსულთა კოლეგიის ხელში, რ-ის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალაქის წარჩინებულთა და მდიდარი ვაჭრების წარმომადგენლები. პოლიტ. და ეკონ. ძალაუფლების თავმოყრამ კომუნების ხელში შეარყია ფეოდ. ძლიერება, ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონ. განვითარებას და რესპ. წესწყობილების . მქონე ქალაქ-სახელმწიფოების — ქალაქ-კომუნების აღმოცენებას. ქალაქ-კომუნები სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების მძლავრ ცენტრებად გადაიქცა. ი-ის სანავსადგურო ქ-ების (ვენეცია, გენუა, პიზა, ანკონა) აყვავებას ხელი შეუწყო აგრეთვე *ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა*, ამ ქ-ებს ევროპასა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის შუამავლის როლი დაეკისრა. XII—XIII სს-ში ქ-ების მხარდაჭერით ი-ში გაჩნდა სასოფლო კომუნები (ადრინდ. ფეოდ. თემების საფუძველზე). XII—XIII სს-ში ი-ის ქ-ებში გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. გერმ. იმპ. *ფრიდრიხ I ბარბაროსამ* 1154—76 ჩრდ. ი-ში 5-ჯერ ილაშქრა. 1158 იმპერატორმა გამოსცა რონკალის დადგენილებანი, რ-ის ძალითაც ი-ის კომუნები კარგავდნენ პოლიტ. დამოუკიდებლობას. გერმ.

ი ტ ა ლ ი ა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 252
II. სახელმწიფო წესწყობილება 252
III. ბუნება 253
IV. მოსახლეობა . . . 253
V. ისტორიული ნარკვევი 253
VI. პოლიტიკური პარტიები; პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 256
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი...256
VIII. შეიარაღებული ძალები 258
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა. 258
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. . . 258
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია . . 259
XII. ლიტერატურა . 259
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება 260
XIV. მუსიკა 261
XV. ბალეტი 262
XVI. დრამატული თეატრი.. 262
XVII. კინო 263

ი ტ ა ლ ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს სა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გ ე რ ბ ი.

ი ტ ა ლ ი ა. რ ო მ ი ს მ შ რ ო მ ე ლ თ ა დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ა 1969 წ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ო ფ ი ც ი ს დ რ ო ს.

იტალია. 1948-49 რევოლუცია. ფრანგი ინტერვენტებისაგან რომის რესპუბლიკის დაცვა გარიბალდელთა რაზმის მიერ (თანამედროვის ნახატი).

ფეოდალებთან ბრძოლის პერიოდში O-ის ქ-ებში შეიქმნა *გველფებისა* და *გიბელინების* პოლიტ. პარტიები. 1167 ჩრდ. O-ის ქ-ები გაერთიანდნენ და შექმნეს *ლომბარდიის ლიგა*. გერმ. ფეოდ. წინააღმდეგ ბრძოლამ ხელი შეუწყო O-ში ეროვნ. თვითშეგნების ელემენტების გაღვივებას. 1183 კონსტანციის ზავით O-ის ქ-ებმა ფაქტობრივად აღიდგინეს დამოუკიდებლობა. სამხრ. O-ში და სიცილიაში (XI ს-ში ეს ტერიტ. დაიპყრეს ნორმანებმა და XII ს-ში შექმნეს სიცილიის სამეფო) ფეოდ. ურთიერთობის განვითარების პროცესი ჩრდ. და შუა O-თან შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ფრიდრიხ II შტაუფენმა, „საღვთო რომის იმპერიის" იმპერატორმა და სიცილიის მეფემ, სიცილიის სამეფო გადააქცია ცენტრალიზებულ ბიუროკრ. მონარქიად. XIII ს. 60-იან წლებში სამხრ. O. დაიქვემდებარა *ანჟუს დინასტიამ*. 1282 სახალხო აჯანყების („სიცილიის მწუხრი") შედეგად სიცილიის სამეფო დაიშალა. XIII ს. დასასრ. და XIV ს. დასაწყისში სიცილია, ხოლო XV ს. შუა წლებში სამხრ. O. ხელთ იგდო არაგონელთა დინასტიამ — სამხრ. O. ესპ. ხელში აღმოჩნდა. ჩრდ. და შუა O-ში დიდად განვითარდა საბანკო საქმე (სიენა, ფლორენცია), ზღვისგაღმა ვაჭრობა (ვენეცია, ვენუა, პიზა), მაუდის წარმოება (პერუჯა, ბოლონია, სიენა, ფლორენცია, მილანი). საბანკო და საავაჭრო კაპიტალს ახმარდნენ მრეწვ. განვითარებას. ხელოსნური წარმოების განვითარებამ ქალაქ-სახელმწიფოებს (1256 ბოლონია, 1289 ფლორენცია) საშუალება მისცა მათზე დაქვემდებარებული ტერიტორიების გლეხობა სერვაჟისაგან (ბატონყმური დამოკიდებულება) გაეთავისუფლებინა. სერვაჟის ლიკვიდაციამ გამოიწვია უშუალო მწარმოებლის წარმოების საშუალებისაგან გამოყოფა. ყოფილმა *სერვებმა* დაკარგეს მიწის ნაკვეთი და გადაიქცნენ მონახელრეებად — ნახევრად კაპიტალ. ტიპის მოიჯარეებად.

XIV—XVI სს-ში ჩრდ. და შუა O-ის ქ-ებსა და სოფლებში საწარმოო ძალთა ინტენს. განვითარებამ მსოფლიოში პირველად გამოიწვია ადრინდ. კაპიტალ. ურთიერთობების ჩასახვა და განვითარება. აღმოცენდა წინაპროლეტარიატი. ჩრდ. და შუა O-ის ზოგიერთ მსხვილ ქალაქში დაქირავებულ მუშათა რაოდენობამ ათეულ ათასებს მიაღწია. გაჩნდნენ კაპიტალ. მანუფაქტურები (ძირითადად მაუდის წარმოება). ექსპლუატაციის გაძლიერება იწვევდა წინაპროლეტარიატის აჯანყებებს (1345 გაფიცვა ფლორენციაში, 1371 აჯანყება პერუჯასა და სიენაში, *ჩომპის აჯანყება* 1378 და სხვ.). XIV ს-ში გაიშალა მძაფრი ანტიფეოდ. გამოსვლები: *დოლჩინოს* აჯანყება (1304—07) და სხვ.

ადრინდ. კაპიტალ. ურთიერთობებმა სათავე დაუდო ახ., თავისი ხასიათით ანტიფეოდ. აღორძინების კულტურას (იხ. *რენესანსი*).

O-ის ქ-ების ეკონ. წარმატებებს XIV—XV სს-ში არ მოჰყოლია ქვეყნის გაერთიანება. O-ის პოლიტ. დაქუცმაცებულობამ, კაპიტალ. განვითარებისათვის საჭირო ბაზის შედარებითმა სივიწროვემ, წარმოების უპირატესად საექსპორტო ხასიათმა, საავაჭრო გზების ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტის ოკეანეში გადანაცვლებამ, ოსმ. ექსპანსიამ, რ-მაც გაწყვიტა O-ის სავაჭრო ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, XVI ს-ში გამოიწვია მრეწვ. და ვაჭრობის დაცემა. დადგა ფეოდ. რეაქციის ხანა. სოფლად გაძლიერდა დამოკიდებულების ფეოდ. ფორმები, გლეხობა ფაქტობრივად მიწას მიეჯაჭვა. O-ის დასუსტებით ისარგებლეს საფრანგეთმა და ესპანეთმა. დაიწყო *იტალიური ომები* (1494—1559). *კატო-კამბრეზის ზავმა 1559* განამტკიცა O-ის დაქუცმაცებულობა. XVII ს-ში O. უპირატესად სას.-სამ. ეკონომიკის მქონე ქვეყანა გახდა. ხალხის მძიმე მდგომარეობამ, უცხოელთა ბატონობამ, კათოლ. რეაქციამ გამოიწვია მწვალებლური მოძრაობის (პროტესტანტიზმის რადიკალური ფორმებით) აღმავლობა, სახ. აჯანყებანი (1599 შეთქმულება, რ-იც მოამზადა ტ. *კამპანელამ*, 1647 — აჯანყება პალერმოში, 1647—48 — სალერნოში, 1647 — ნეაპოლში). პაპის *კურია*, *ინკვიზიცია* დევნიდა და სიკვდილით სჯიდა სახალხო ბელადებსა და მოწინავე მოაზროვნეებს (ჯ. *ბრუნო*, ჯ. ჩ. *ვანინი* და სხვ.).

XVIII ს. I ნახევარში დაეცა საგარეო და საშინაო ვაჭრობა, დაიწყო ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა მასობრივი გაღატაკება. ეკონ. დაქვეითება კიდევ უფრო გაღრმავა O-ის ტერიტორიაზე გაჩაღებულმა ომებმა(იხ. *ესპანური მემკვიდრეობა*, 1701—14, *პოლონური მემკვიდრეობა*, 1733 — 35, *„ავსტრიული მემკვიდრეობა"*, 1740—48). 1714 რაშტატის ზავით ესპ. სამფლობელოები ავსტრიას ერგო. 1735 ავსტრია იძულებული გახდა გადაეცა სიცილია და ნეაპოლის სამეფო ბურბონების ესპანეთის შტოს წარმომადგენლებისათვის. ოსმალეთთან ომით დაუძლურებულმა ვენეციამ 1718 დაკარგა თავისი სამფლობელოები აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთში. სავოიამ 1720 ავსტრიისაგან მიიღო სარდინია. წარმოიქმნა *სარდინიის სამეფო* (1720—1861). XVIII ს. II ნახევარში რამდენიმე ათეული წლით შეწყდა ომები O-ის ტერიტორიაზე. XVIII ს. დასასრ. დაიწყო *რისორჯიმენტოს* ეპოქა. XVIII ს. 90-იან წლებში საფრ. დიდი რევ. ზეგავლენით O-ში გააქტიურდნენ რევ. და ოპოზიციური ელემენტები. საშ. და წვრილბურჟ. და ლიბერ. (გაბურჟუაზებული) მემამულეების წრეებში ჩაისახა იტალ. და ფრანგ. განმანათლებლობის იდეებზე აღმოცენებული ანტიფეოდ., ანტიავსტრ. რესპ. მოძრაობა (ე. წ. იტალ. იაკობინიზმი). 1796—97, ნაპოლეონის იტალ. ლაშქრობების დროს, O-ში შეიქმნა რესპუბლიკები. მაგრამ O-ის მიწების დიდი ნაწილი ნაპოლეონის იმპერიის დაცემამდე (1814) საფრ. ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. 1804 შემდეგ რესპუბლიკები სამეფოებად გარდაიქმნა. O-ის ტერიტ. ნაწილი კი საფრ. იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. საფრ. ბატონობის პერიოდში O-ში გატარდა ბურჟ. რეფორმები. მაგრამ მრეწვ. განვითარებას აბრკოლებდა უბაჟოდ შემოტანილი ფრანგ. საქონლის კონკურენცია, 1806 შემდეგ კი — *კონტინენტური ბლოკადა*. ქვეყანაში იზრდებოდა უკმაყოფილება, 1813—14 სამხრ. O-სა და მილანში იფეთქა ანტიფრანგ. აჯანყებებმა. *ვენის კონგრესმა 1814—15* O-ში აღადგინა ფეოდ.-აბსოლუტისტური მონარქიები. აღდგა *ორივე სიცილიის სამეფო*, პაპის სახელმწიფო, მოდენის, პარმის, ლუკისა და ტოსკანის საპერცოგოები, სარდინიის სამეფო (პიემონტი); ლომბარდია და ვენეცია კვლავ ავსტრ. იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანეს. პიემონტმა ნაწილობრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. O-ის დანარჩენ სახელმწიფოებში ავსტრია განუკითხავად ბატონობდა. 1815—31 უცხოელთა ბატონობის, ფეოდ. რეაქციისა და პოლიტ. დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ ბრძოლას *კარბონარები* ხელმძღვანელობდნენ. ბურჟ. რევ. დამარცხებამ 1820—21 ორივე სიცილიის სამეფოში, 1821 პიემონტში, 1831 ცენტრ. O-ში აიძულა O-ის დემოკრატები ეროვნ. მოძრაობის პრობლემათა გადაჭრის ახ. გზები გამოეძებნათ. O-ის რევ. ახ. კონცეფცია ჩამოაყალიბა 1831—33 ჯ. *მაძინიმ* (იხ. „*ახალგაზრდა იტალია*").

40-იან წლებში გაფორმდა O-ის ეროვნ.-განმათ. ბანაკის ლიბერ. ფრთის იდეოლოგია, რ-იც მსხვილი ბურჟ. და მსხვილი გაბურჟუებული მემამულეების ინტერესებს გამოხატავდა (იხ. ვ. *ჯობერტი*, მ. *აძელიო*, ჩ. *ბალბო*). O-ის 1848—49 რევ. მიზანი იყო ავსტრიელთა ბატონობისაგან განთავისუფლება (იხ. *ავსტრია-იტალიის ომი 1848—49*) და ქვეყნის შიგნით აბსოლუტისტური რეჟიმების დამხობისათვის ბრძოლა. 1848—49 რევოლუცია O-ში დამარცხდა.

50-იან წლებში O-ში რევოლუციამდელი წესრიგი აღადგინეს. 1848 კონსტიტუციამ მხოლოდ პიემონტში მოქმედებდა. ქვეყანას მართავდა ლიბერ. კაბინეტი (მ. *აძელიო*, კ. ბ. *კავური*). მთავრობის ხელშეწყობით აქ ვითარდებოდა მრეწველობა, გაჩაღდა რკინიგზები. O-ის ლიბერ. წრეები იმედს პიემონტის მონარქიაზე ამყარებდნენ. პიემონტი თავის მხრივ სამფლობელოების გაფართოებისაკენ მიისწრაფოდა და ატარებდა ანტიავსტრ. პოლიტიკას. 1859—60 რევოლუცია რისორჯიმენტოს გადამწყვეტი ეტაპი გახდა. *ავსტრია-იტალიისა საფრანგეთის ომის* (1859) დროს ავსტრ. ჩაგრისაგან განთავისუფლდა ლომბარდია, გამარჯვებით დამთავრდა სახ. აჯანყებები მოდენის, პარმის, ტოსკანის საპერცოგოებში, პაპის ძალაუფლებისაგან განთავისუფლდა რომანია. დემოკრატების მიერ ორგანიზებულმა ჯ. *გარიბალდის* რევ. ექსპედიციამ 1860 მაისში ქვეყნის სამხრეთში (აქ აპრილში დაიწყო გლეხთა აჯანყება) განმსაზღვრელი როლი ითამაშა O-ის გაერთიანების საქმეში. 1861 სარდინიის სამეფო კონსტიტუციით ერთიან იტალ. სამეფოდ გადაიქცა. *ავსტრია-იტალიის ომის* (1866) შედეგად O-ის სამეფოს შეუერთდა ვენეცია. 1870 O-ის გაერთიანება დასრულდა: O-ს შეუერთდა რომი და მოისპო პაპის საერო ხელისუფლება. პაპი პიუს IX წავიდა ვატიკანში და თავი „მორალურ ტყვედ" გამოაცხადა (პაპთან ურთიერთობა მხოლოდ 1929 მოწესრიგდა). O-ის სამეფოს სათავეში ჩაუდგა ლიბერ. ბურჟ. და მემამულეთა ბლოკი. გაერთ. O. კონსტ. მონარქიად გადაიქცა.

XIX ს. უკანასკნელ მესამედში O-ში დასრულდა სამრეწვ. გადატრიალება. 80—90-იან წწ-ში ფართოდ გავრცელდა მარქსისტული იდეები (იხ. ა. *ლაბრიოლა*). 1892 შეიქმნა *იტალიის სოციალისტური პარტია* (ისპ). მუშათა მოძრაობა დაადგა დამოუკიდებელი პოლიტ. ბრძოლის გზას. O-ის ახლად შექმნილმა სახელმწიფომ დაიწყო კოლონ. ომები (იხ. *იტალია-ეთიოპიის ომები* 1895—96, 1935—36; *იტალიისომალეთის ომი 1911—12*).

1914 არსებითად დამთავრდა O-ის კაპიტალიზმის იმპერიალიზმის სტადიაში გადაზრდის პროცესი.

I მსოფლიო ომს O. შინაგან სოც. წინააღმდეგობათა უკიდურესი გაშწვავების ვითარებაში შეხვდა. 1914 წ. 2 აგვ. O-ს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ამავე დროს დაიწყო გამალებული საომარი მზადება და დიპლ. ვაჭრობა გააჩაღა ორივე მტრულ დაჯგუფებასთან. ისპ მოითხოვდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას და გამოდიოდა ომის წინააღმდეგ, როგორც სახალხო მოძრაობის ორგანიზატორი. ბურჟ. ნეიტრალისტების მოძრაობას სათავეში ჩაუდგა *ჯოლიტი*. მაგრამ მონოპოლისტების ექსპანსიონისტურმა მისწრაფებებმა გაიმარჯვა. 1915 წ. 23 მაისს, ლონდონის შეთანხმებით (1915), O-მ ანტანტის მთავრობებისაგან

იტალია. ქარხანა „ლანჩას" მუშების მიერ დაკავებული ერთ-ერთი საამქრო. ტურინი. 1920. სექტემბერი.

ინიღო მნიშვნელოვანი ტერიტ. კომპენსაციის პირობა და ომი გამოუცხადა ავსტრიისა-ნგრეთს, 1916 წ. 27 აგვ. კი — გერმანიას.

1917 თებ. რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობამ აღაფრთოვანა I-ის მუშები. ამწვავდა ისპ-ის შიგნით მიმდინარეობა-ია შორის ბრძოლა. მემარჯვენეები „სა-ოქალაქო ზავის“ პოზიციაზე იდგნენ; არტიის ხელმძღვანელობა ცენტრიზმი-აკენ იხრებოდა. 1917 ზაფხულში I. მო-ცვა სასურსათო მღელვარებებმა, ანტი-ამხ. დემონსტრაციებმა, პოლიტ. გაფი-ვებმა. აგვისტოში იფეთქა ტურინის ანტი-ამხ. შეიარაღებულმა აჯანყებამ, მწვავე ლასობრივ ბრძოლას და სახელმწ. აპარა-ის პარალიზებას შედეგად მოჰყვა I-ის რმიის განადგურება 1917 ოქტ. კაპორე-ოსთან, შეიქმნა ხელისუფლებისათვის -ის პროლეტარიატის ბრძოლის ობიექტუ-ი პირობები, მაგრამ ასეთი გამოსვლისა-ვის მშრომელები და მათი პარტია მზად რ იყვნენ.

I-მ ომის დროს დაკარგა 700 ათ. კაცი; ავაჭრო ფლოტმა — გემების 60%. ომის ურიოდში მანქანათმშ., მეტალ. და ქიმ. რეწვ. განვითარებამ I. აგრ.-ინდუსტრ. ეყნად გადააქცია, მაგრამ ომის დროს ანვითარებულმა მრეწველობამ ვერ პოვა ასაღების ბაზარი და წარმოების დაცემამ 920 ეკონ. კრიზისი გამოიწვია. 1919 სენ-ურმენის საზავო ხელშეკრულებითა და 920 რაპალოს ხელშეკრულებით I-მ მი-ღო: ტრენტინო (სამხრ. ტიროლი), თითქ-ის მთელი ისტრია და სხვა მიწები; მაგ-ამ I-ის იმპერიალიზმი თავს თელიდა მში განაწყენებულ მოკავშირედ და პრე-ენზიას აცხადებდა დალმაციაზე, ალბა-ეთზე და სხვ. ტერიტორიებზე. 1919—20 -ში მძლავრი რევ. აღმავლობის წლებია. იდი ძალა გახდა 1906 შექმნილი *შრომის ყოველთაო კონფედერაცია* (შსკ). ომის ემდგომ I საპარლამენტო არჩევნებში 1919 ნოემბ.) სოციალისტებმა 3-ჯერ მეტი ა მიიღეს, ვიდრე 1913 და პარლამენტში ელაზე ძლიერ ფრაქციად გადაიქცნენ. იდი წარმატება მოიპოვა 1919 იანვ. შექ-ილმა კათოლ. სახ. პარტიამ (ხელმძღვ. ვდელი ლ. სტურცო). პარლამენტში აბ-ილ. უმრავლესობა დაკარგა მმართველ-ლიბერ. პარტიამ. 1919—22 I-ში შეი-ალა 5 პრემიერ-მინისტრი (ლიბერალე-ვ. ორლანდო, ფ. ნიტი, ჯ. ჯოლიტი, ბონომი, ლ. ფაქტა).

1920 კიდევ უფრო გამწვავდა კლასთა ბრძოლა — გაფიცვათა რიცხვმა 2 ათ. გა-აჭარბა. მემარცხენე სოციალისტების ჯუფის „ორდინე ნუოვოს“ (რ-საც ა. *გრამ-* მეთაურობდა) ინიციატივით ტურინელ-მუშებმა ჯერ კიდევ 1919 დაიწყეს საფა-ნიკო-საქარხნო საბჭოების ჩამოყალიბე-ა. 1920 აგვ.-სექტ. ჩრდ. სამრეწვ. ქ-ების ჟუშებმა *ლოკაუტის* საპასუხოდ დაიწყეს ახურული საწარმოების დაკავება. 600 ი. მელითონის ხელში გადავიდა პრაქ-ტიკულად მთელი ლითონდასამუშ., მან-ნათმშ. და მეტალ. საწარმოები, ტური-ისა და მილანის მუშებმა განაახლეს წარ-ოების პროცესი და შექმნეს წითელი გვარ-ია. მოძრაობამ შეტევითი ხასიათი მიი-ი, მაგრამ იგი ძალაუფლებისათვის ბრძო-ში არ გადაზრდილა. მოძრაობის ხელმ-ძღვანელობის საქმე ისპ-მ გადასცა შსკ-ს, ის მეთაური-რეფორმისტი დ'არაგონა ხავრობის დაპირებებს დასჯერდა და ლი მოაწერა მთავრობასთან შეთანხმე-ს. მუშათა მოძრაობა დაცემის გზას და-ჭვა. დაიწყო ისპ-ის გათიშვა. იმის გა-ბ, რომ *მაქსიმალისტებმა* (ლიდერები სერატი, კ. ლაძარი) არ გაწყვიტეს კავ-ირი რეფორმისტებთან (ლიდერი ფ ტუ-ატი), მემარცხენე ფრთა გამოეყო პარ-ას და 1921 წ. 21 იანვ. შექმნა I-ის კომპარტია (იხ. *იტალიის კომუნისტური პარტია*, იკპ). მსხვილი ბურჟუაზია კონტრ-ტევაზე გადავიდა. მსხვილი მეწარმეები და მიწისმფლობელები ფაშისტურ მოძრა-ობას დაუკავშირდნენ (ხელმძღვ. ბ. *მუსოლ-ინი* 1919-იდან). 1922 წ. 24 ოქტ. მუსოლი-ნიმ მოითხოვა მთავრობაში ფაშისტების შე-ყვანა. 30 ოქტ. ფაშისტ-შავხალათიანების კოლონები რომში შეავიდნენ (ე. წ. ლაშ-ქრობა რომზე). 31 ოქტ. მუსოლინიმ მი-იღო პრემიერ-მინისტრის პოსტი. ბურჟ. პარტიების დეპუტატთა უმრავლესობამ პარლამენტში მხარი დაუჭირა ახ. მთავ-რობას. 1922—24 მუსოლინის მთავრობამ გაატარა მსხვილი ბურჟ. ინტერესების შე-საბამისი ღონისძიებები. 1923 დააპატიმრეს კომპარტიის მრავალი აქტივისტი. 1924 წ. 10 ივნ. ფაშისტებმა მოკლეს სოციალის-ტი ჯ. *მატეოტი*. პროტესტის ნიშნად ოპო-ზიციური პარტიების დეპუტატებმა შექმ-ნეს ე. წ. *ავენტინის ბლოკი*. 1924 წ. 24 ივნ. დაიდო ოუგოსლავიასთან მეგობრო-ბის ხელშეკრულება. 1924 წ. 7 თებ. I-მ ოფიციალურად ცნო საბჭ. კავშირი და და-ამყარა მასთან დიპლ. ურთიერთობა. 1925 მუსოლინიმ შექმნა ერთპარტ. ფაშის-ტური მთავრობა. ფაშიზმი მკაცრად უს-წორდებოდა ოპოზიციას. დააპატიმრეს კომპარტიის ხელმძღვანელები (ა. გრამში და სხვ.), საგანგებო ტრიბუნალი არბევდა ანტიფაშისტურ ორგანიზაციებს. 1927 შსკ-ის რეფორმისტმა ლიდერებმა თვითდათ-ხოვნა გამოაცხადეს. 1929 ფაშისტურმა ხელისუფლებამ ხელი მოაწერა ვატიკან-თან *ლატერანის ხელშეკრულებებს*. მუსოლინიმ მოიპოვა პაპის მხარდაჭერა. ფაშისტებმა შექმნეს სახელმწ.-მონოპ. კა-პიტალიზმის ცენტრალიზებული სისტემა. 1927 „კლასთა თანამშრომლობის“ დამყა-რების მიზნით ისინი შეუდგნენ ე. წ. კორ-პორაციული სახელმწიფოს შექმნას. 1939 პარლამენტის რეფორმით დეპუტატთა პა-ლატა შეიცვალა ფაშიებისა და კორპორა-ციების პალატით, რ-ის წევრებს ფაშის-ტური პარტია და კორპორაციები ნიშნავდა.

აქტიურად ემზადებოდა რა აგრესიული ომებისათვის, ფაშიზმმა გაატარა ავტარ-კიული ღონისძიებანი (იხ. *ავტარკია*). ამ ღონისძიებათა განხორციელებაში უმნიშვ-ნელოვანეს როლს თამაშობდა სახელმწ. მონოპ. გაერთიანებები, რ-ებსაც 1933 სა-თავეში ედგა ე. წ. სამრეწვ. რეკონსტრუქ-ციის ინ-ტი („ირი“). 1935 წ. 3 ოქტ. I. თავს დაესხა ეთიოპიას. 1936 წ. 9 მაისს მუსოლინიმ I. იმპერიად გამოაცხადა. ფა-შისტურმა I-მ გერმანიასთან ერთად 1936—39 მოაწყო ერთობლივი ინტერვენცია ესპანეთში, რამაც დაარჩარა იტალია-გერმ. დაახლოება. 1936 ოქტ-ში მათ ხელი მო-აწერეს პოლიტ. თანამშრომლობის შეთან-ხმებას („ბერლინ-რომის ღერძი“); ხმელ-თაშუა ზღვა I-ის ინტერესების სფეროდ გამოცხადდა, ხოლო I-მ ცნო გერმ. უფ-ლება „ახალი სტატუსი“ დაემყარებინა ცენტრ. ევროპაში. 1937 I. მიემხრო „*ანტიკომინტერნულ პაქტს*“. 1939 წ. 22 მაისს კი „ფოლადის პაქტით“ გაფორმდა იტა-ლია-გერმ. სამხ. აგრესიული კავშირი. 1939 აპრილში I-მ დაიკავა ალბანეთი. 1934 I-ის კომუნისტურმა და სოციალ. პარ-ტიებმა დადეს ერთობლივი მოქმედების შეთანხმება. ამან ხელი შეუწყო ყველა ან-ტიფაშისტური ძალების კონსოლიდაციას. 1936—39 ათასობით იტალ. მოხალისე იბრძოდა *ინტერნაციონალურ ბრიგადებში* (ესპ. ხალხთან ერთად) გერმ. და იტალ. ფაშისტების ინტერვენციის წინააღმდეგ. II მსოფლიო ომის დასაწყისში I-მ თავი არამეომარ მხარედ გამოაცხადა (1939 წ. 1 სექტ.), ვინაიდან დიდი ომის წარმოები-სათვის ჯერ მზად არ იყო. I. მსოფ-ლიო ომში ჩაება 1940 წ. 10 ივნ.; საფრ. წინააღმდეგ I-ის საომარი მოქმედება რამ-დენიმე დღეს გაგრძელდა. 24 ივნ. მეომა-რი მხარეები დაზავდნენ. 1940 წ. 28 ოქტ., სურდა რა ბალკანეთში დაესწრო გერმა-ნიისათვის, I. თავს დაესხა საბერძნეთს (იხ. *იტალია-საბერძნეთის ომი 1940—41*). I-ის საარმიო კორპუსი მონაწილეობდა აგ-რეთვე იუგოსლ. ოკუპაციაში (1941—44). 1941 ივნ-ში ფაშისტური I. გერმანიასთან ერთად ჩაება საბჭ. კავშირის წინააღმდეგ ომში. 1941 იანვ.-მაისში ბრიტ. არმიამ აიძულა I-ის ჯარები დაეტოვებინა ბრიტ. სომალი, კენია, სუდანი, ეთიოპია, იტალ. სომალი, ერიტრეა. 1943 მაისში I-ის და გერმ. ჯარები აფრიკაში საბოლოოდ გა-ანადგურეს. 1943 ივლ-ში ინგლ.-ამერ. ჯარები გადასხდნენ კ. სიცილიაზე (იხ. *იტალიის კამპანია 1943—45*). 1943 მარტ-ში იტალ. კომუნისტების ინიციატივით ჩრდ. I-ში ჩატარდა საყოველთაო გაფიც-ვა. სამხ. კრანის მიახლოვებამ და ანტი-ფაშისტური რევ. შიშმა აიძულა იტალ. მმართველი კლასი ჩქარა გამოსულიყო ომიდან. 1943 წ. 25 ივლ. მუსოლინი პრე-მიერ-მინისტრის პოსტიდან გადააყენეს და დააპატიმრეს. მეფემ პრემიერ-მინისტ-რად დანიშნა მარშალი *ბადოლიო*. 3 სექტ. I-ის მთავრობამ საიდუმლოდ მოაწერა ხელი დაზავების შეთანხმებას (უსტაფვო კა-პიტულაციის პირობებს) ინგლ.-ამერ. სარ-ლობასთან. როცა 8 სექტ. ეს საიდუმლო შეთანხმება ცნობილი გახდა, გერმ. ფა-შისტთა ჯარებმა დაიკავეს I-ის დიდი ნა-წილი. შეიქმნა მარიონეტული „სალოს რესპუბლიკა“. მას სათავეში ჩაუდგა პა-ტიმრობიდან გამოცცეული მუსოლინი (1945 აპრ-ში მუსოლინი სიკვდილით დასა-ჯეს პარტიზანებმა). 1943 წ. 3 და 9 სექტ. ინგლ.-ამერ. ჯარები საშრ. I-ში გადასხდნენ. 1943 შემოდგომიდან დაიწყო ანტიფაშისტური ეანმათ. ბრძოლის ახ. ეტაპი (წინააღმდეგობის მოძრაობა), რ-საც მალე ეროვნ.-განმათ. ოფის მასშტაბი და ანტიფაშისტურ-დემოკრ. რევ. ხასიათი მიიღო. მას მეთაურობდნენ ეროვნ. გან-თავისუფლების კომიტეტები (ეგკ). ეგკ-ის წამყვან ძალას კომუნისტები წარმოადგენ-დნენ (1926-იდან კომპარტიას ხელმძღვა-ნელობდა პ. *ტოლიატი*). 1944 მარტში საბჭ. კავშირმა (ანტიჰიტლერული კოა-ლიციის ქვეყნებიდან პირველმა) დაამყა-რა უშუალო კავშირი ბადოლიოს მთავრო-ბასთან (სრული დიპლ. ურთიერთობა დამ-ყარდა 1944 ოქტ.). 1944 ივნ-ში ინგლ.-ამერ. ჯარები შეეიდნენ რომში. I-ის მთავ-რობას სათავეში ჩაუდგა ი. ბონომი. 1945 აპრ. ეგკ-ის ხელმძღვანელობით ჩრდ. I-ში დაიწყო განმათ. აჯანყება; ქ-ების დიდი ნაწილი I-ის პატრიოტ. ძალებმა გაათავი-სუფლეს. იკპ-მ დაიწყო ბრძოლა საზ. წყო-ბილების დემოკრატიზაციისათვის, მონო-პოლიების ძალაუფლების შეკვეცისათვის. იკპ 1956-მდე დაკავშირებული იყო სო-ციალ. პარტიასთან ერთიანი მოქმედების პაქტით. ჯერ კიდევ ომის ბოლოს აღდგა, შეიქმნა და დიდად განვითარდა მასობრი-ვი დემოკრ. ორგანიზაციები. I-ის განთა-ვისუფლების შემდეგ ყველაზე დიდი გავ-ლენა მოიპოვა ქრისტ. დემოკრ. პარტიამ (ქდპ). იგი გახდა კონსერვატიული ძალე-ბის დასაყრდენი. ომის დასასრულისათვის I-ის ეკონომიკა მოიშალა. უშუშევართა რიცხვმა 2 მლნ. კაცს გადააჭარბა. ანტი-ფაშისტური ერთიანობის მთავრობამ (ფ. პარი — 1945, ა. *დე გასპერი* — 1945—47), რ-შიც კომუნისტები და სოციალისტე-ბი შედიოდნენ, მეურნ. აღდგენის მიზნით გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა. 1946 წ. 2 ივნ. ჩატარებული რეფერენდუმი მმართველობის ფორმის (მონარქია თუ რესპუბლიკა) არჩევას მიეძღვნა. 55%-მა მოითხოვა მონარქიის ლიკვიდაცია. 1947 წ. 22 დეკ. მიიღეს I-ის რესპ. კონსტიტუ-ცია, რ-ის შემუშავებაში აქტიურად მონა-წილეობდნენ მემარცხენე პარტიები. მათი ზემოქმედებით კონსტიტუციაში შეიტანეს მნიშვნელოვანი დემოკრ. დებულებები.

1947 წ. 10 თებ. ანტიფაშისტური კოა-ლიციის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს I-თან საზავო ხელშეკრულებას. I-მ უარი თქვა კოლონიებზე. 1947 მაისში დე გასპერიმ შეთითხნა მთავრობის კრიზისი და სოციალისტები და კომუნისტები მთავრობიდან



იტალია. მანქანათაშენებელი კომპლექსი „ინორჩენტი". მილანი.

დაითხოვეს. ჯერ კიდევ 1947 იანვ. ისპ-ის მემარჯვენე ფრთა, რ-საც მეთაურობდა ჯ. *სარაგატი*, გამოვიდა ისპ-იდან და შექმნა ახ. ანტიკომუნისტური პარტია (მალე ამ პარტიის ბაზაზე ჩამოყალიბდა იტალ. ს.-დ. პარტია). ქდპ-მ და მემარჯვენე სოციალისტებმა გათიშეს ყველა მასობრივი ორგანიზაცია (პროფკავშირული, ახალგაზრდული, ქალთა და სხვ.) და შექმნეს საკუთარი სეპარატული ორგანიზაციები. მთავრობის კოალიციურმა პარტიებმა (ქდპ, ი-ის ს.-დ. პარტია, ლიბერ. და რესპ. პარტიები) დაიწყეს პირველი ომისშემდგომი პარლამენტის (1948) არჩევნებისათვის მზადება (ანტიკომუნისტური ლოზუნგებით). ქდპ-მ პარლამენტში ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. 1948 წ. 14 ივლ. მოეწყო თავდასხმა ტოლიატიზე. მშრომელებმა ამის საპასუხოდ საყოველთაო გაფიცვა მოაწყვეს (7 მლნ. კაცი). დე გასპერის ახ. მთავრობები (1947—53) აშშ-ის მხარდაჭერით სარგებლობდა. 1948 ი-მ მიიღო აშშ-ის დახმარება *მარშალის გეგმის* საფუძველზე. 1949 ი. გახდა ნატოს წევრი და მის ტერიტორიაზე ნატოსა და აშშ-ის სამხ. ბაზები განლაგდა.

50-იან წლებში ი. ინდუსტრ.-აგრ. ქვეყნად გადაიქცა. 1951-იდან ი. ევრ. ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ორგანიზაციის წევრი გახდა. 1957 მან ხელი მოაწერა ევრ. ეკონ. გაერთიანების ხელშეკრულებას („საერთო ბაზარი"). 50-იანი წწ. II ნახევარში ი-მ სავაჭრო ურთიერთობა გააცხოველა სსრკ-თან და სხვა სოციალ. ქვეყნებთან. 60-იან წლებში გაფართოვდა საბჭ. კავშირ-ი-ის ეკონ., პოლიტ. და კულტ. კონტაქტები.

ხანგრძლივი შინაპოლიტ. ბრძოლის შემდეგ ქდპ-მ 1962 ყრილობაზე გადაწყვიტა გადასულიყო ე. წ. მემარცხენე ცენტრისტულ პოლიტიკაზე, რ-იც გულისხმობდა ი-ის სოციალ. პარტიასთან, აგრეთვე სოციალ-დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან თანამშრომლობას გარკვეული რეფორმების პროგრამების საფუძველზე. პირველმა ასეთმა მთავრობამ, რ-საც ა. ფანფანი მეთაურობდა (1962—63) მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა (ელექტროენერგეტ. მრეწვ. ნაციონალიზაცია, პენსიების გაზრდა, გლეხობის მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება). ამ გზით რეაქციას სურდა შეესუსტებინა მშრომელთა მასობრივი მოძრაობა და იზოლაციაში მოექცია კომპარტია. 1963—64, 1964—69 მთავრობას მეთაურობდა ა. *მორო*. მისი კაბინეტი შედარებით ზომიერ პოლიტიკას ატარებდა. 1964 იანვ. ისპ-ის მემარცხენე ფრთამ ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი პარტია (იხ. *პროლეტარული ერთობა*). *ანობის იტალიის სოციალისტური პარტია*).



იტალია. მსუბუქი ავტომობილების „ფიატის" ქარხანა. ტურინი.

1966 ისპ შეუერთდა სოციალ-დემოკრატებს და შეიქმნა გაერთ. სოციალ. პარტია. 1968 არჩევნებში კვლავ გაიზარდა კომპარტიისა და სხვა მემარცხენე ძალების გავლენა. 60-იანი წწ. დასასრ. შესამჩნევად მომძლავრდა ი-ის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის გადასინჯვის ტენდენცია; ვითარდებოდა საბჭ. კავშირ-ი-ის ეკონ. თანამშრომლობა. 1972 ოქტ-ში მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭ. კავშირ-ი-ის ოქმს კონსულტაციების შესახებ. 70-იან წლებში ი-ის საშინაო ცხოვრების მთავარი პრობლემა გახდა მმართველი პარტიების კომპარტიასთან ურთიერთობის საკითხი. ქდპ-ის მემარცხენე მიმდინარეობები და ი-ის სოციალ. პარტიის ხელმძღვანელობის უმრავლესობა კომპარტიასთან თანამშრომლობის ტაქტიკისკენ იხრებოდა. ამის გამო 1969 აშშ-ის მმართველი წრეების ზემოქმედებით სოციალ. პარტიის მემარჯვენე ფრთამ პარტიაში განხეთქილება ჩამოაგდო და ჩამოაყალიბა უნიტარული სოციალ. პარტია (1971-იდან — ს.-დ. პარტია). ამ პარტიამ სცადა სათავეში ჩაეგდო მოდა ახ. ანტიკომუნისტურ კამპანიას. ამავე დროს გაიშალა ფართო საგაფიცვო მოძრაობა სამი მთავარი პროფცენტრის ერთობლივი ხელმძღვანელობით. 1969 „ცხელი შემოდგომის" ამბებმა (ზოგჯერ გაფიცვაში მონაწილეობდა 20 მლნ-მდე კაცი) აიძულა მთავრობა დაეკმაყოფილებინა მშრომელთა მრავალი მოთხოვნა. 1970 დასაწყისში რეაქციამ ახ. მანევრი— მთავრობის გაჭიანურებული კრიზისი მოაწყო, რათა პარლამენტი ვადამდე დაეთხოვათ და ამით ხელი შეეშალათ დემოკრ. კანონპროექტის მიღებისათვის. დემოკრ. ძალებმა ეს საფრთხეც აიცდინეს. 1970 წ. 7—8 ივნ. მუნიციპალურმა და 15 (20-იდან) საოლქო საბჭოს არჩევნებმა დაადასტურა მემარცხენე ძალების ზრდა. იმის გამო, რომ „მემარცხენე ცენტრის" პოლიტ. კურსი ჩიხში მოექცა, 1971 დაითხოვეს პარლამენტი. 1972 მაისში პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში მემარჯვენე ძალებმა ვერ შეძლეს პოზიციების განმტკიცება. მემარცხენე პარტიებმა მიიღეს ხმების 40% (იკპ-მ 27,2%). მიუხედავად ამისა, 1972 ზაფხულზე ჯ. ანდრეოტის მთავრობაში შეივიდნენ მხოლოდ ქდპ-ის, ს.-დ. პარტიისა და ლიბერ. პარტიის წარმომადგენლები. 1975 ზაფხულის მთავარ მოვლენად იქცა საოლქო და პროვინციული ადმინ. ორგანოების არჩევნები. ამ არჩევნებში კომუნისტებმა უდიდესი წარმატება მოიპოვეს. არჩევნების შედეგად ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახ. პოლიტ. სიტუაცია, რ-მაც კიდევ ერთხელ ცხადყო ქდპ-ის ანტიკომუნისტური პოლიტიკის მარკები. 1976 წ. 20—21 ივნისის ვადაზე ადრე ჩატარებული არჩევნების შედეგად კომუნისტებმა დეპუტატთა პალატაში 228 მანდატი (630-იდან) მოიპოვეს (49 მანდატით მეტი ვიდრე 1972 არჩევნებში). ი-ის ომის შემდგომი განვითარების მსვლელობამ ცხადყო ქვეყნის მმართველობაში კომუნისტების მონაწილეობის აუცილებლობა, რასაც დიდ წინააღმდეგობას უწევენ რეაქციული ძალები ქვეყნის შიგნით და გარეთ. სამთავრობო პროგრამის შეთანხმების (1977) მონაწილე პარტიებს შორის უთანხმოებას მოჰყვა ჯ. ანდრეოტის ერთპარტ. ქრისტ.-დემოკრ. კაბინეტის გადაყენება (1977 წ. 16 ივნ.), ჯ. ანდრეოტის კვლავ დაევალა მთავრობის შედგენა, მაგრამ ქდპ-მ უარი განაცხადა მთავრობაში კომუნისტების შეყვანაზე. შინაპოლიტ. მდგომარეობას ართულებდა აშშ-ისა და ნატოს უხეში ზემოქმედება. რათა არ დაეშვათ კომუნისტების მონაწილეობა მთავრობაში. ასეთ ვითარებაში კომუნისტებმა დასვეს საკითხი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის შესახებ იკპ-ს მონაწილეობით. 4 მარტს შეიქმნა ქრისტ.-დემოკრ. კაბინეტი, რ-იც საპარლამენტო უმრავლესობას ეყრდნობოდა. 16 მარტს მთავრობის პროგრამა პარლამენტმა მოიწონა. იმავე დღეს ტერორისტებმა (ექსტრემისტული ორგანიზაცია „წითელი ბრიგადები") მოიტაცეს ა. მორო და მოკლეს (9 მაისს). იკპ-ს მოთხოვნითი ი-ს პრეზიდენტი ჯ. ლეონე გადადგა, ახ. პრეზიდენტად აირჩიეს (8 ივლ.) სოციალისტი ა. *პერტინი*.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Революционное движение в Италии, Соч., 2 изд., т. 6; Грамши А., Избр. произв., пер. с итал., т. 1—3, М., 1957—59; Канделоро Дж., История современной Италии, пер. с итал., т. 1—5, М., 1958—71; Тарле Е. В., История Италии в новое время, СПб., 1901.

რ. ლასკარი

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია (ქდპ; Partito della Democrazia Cristiana), დაარსდა 1943 წ. ამყვანი ბურჟ. პარტიაა. დაკავშირებულია ვატიკანთან. აერთიანებს 1,8 მლნ-ზე წევრს (1978). იტალიის სოციალისტური პარტია (ისპ; Partito Socialista Italiano), დაარსდა 1892. შედის სოციინტერნში, აერთიანებს 450 ათ-მდე წევრს (1978). იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (ისდპ; Partito Social-Democratico Italiano), დაარსდა 1948, განახლდა 1969. შედის სოციინტერნში. აერთიანებს 300 ათ. კაცს (1978). იტალიის რესპუბლიკური პარტია (ირპ; Partito Repubblicano Italiano), დაარსდა 1832. ბურჟ. პარტიაა. აერთიანებს 110 ათ. წევრს (1978). იტალიის ლიბერალური პარტია (ილპ; Partito Liberale Italiano), დაარსდა 1848. მემარჯვენე ბურჟ. პარტიაა. აერთიანებს დაახლ. 10 ათ. კაცს (1976). იტალიის სოციალური მოძრაობა — ერონული მემარჯვენე ძალები (ისმ—ემძ; Movimento Sociale Italiano Destra Nazionale). ნეოფაშისტური პარტია. დაარსდა 1947. აერთიანებს 300 ათ. კაცს (1978). იტალიის კომუნისტური პარტია (იკპ; Partito Comunista Italiano), დაარსდა 1921. აერთიანებს 1,8 მლნ-ზე მეტ წევრს (1977). შრომის საყოველთაო იტალიური კონფედერაცია (შსიკ), დაარსდა 1944, აერთიანებს მშრომელ კომუნისტებს, მშრომელ სოციალისტებს, უპარტიოებს 4 მლნ-ზე მეტ წევრს. მშრომელთა პროფკავშირების იტალ. კონფედერაცია (მპიკ), დაარსდა 1950. აერთიანებს 2,8 მლნ. წევრს. იტალიის შრომის კავშირი (იშკ), დაარსდა 1950. ს.-დ. პროფკავშირული გაერთიანება. აერთიანებს 1 მლნ-ზე მეტ წევრს. იტალ. კათოლიკური მოძრაობა. კათოლიკეების საერთ. ორგანიზაცია. კონტროლს უწევს ვატიკანი. მხარს უჭერს ქდპ-ს. აერთიანებს დ. ახლ. 1 მლნ. წევრს (1977). იტალიის მშრომელთა ქრისტიანული ასოციაცია. ნახევრად პროფკავშირული ტიპის კათოლ. ორგანიზაცია. აერთიანებს 550 ათ. წევრს (1977).

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. ინდუსტრ.-აგრ. ქვეყანაა. ეროვნ. შემოსავლის დიდ ნაწილს იძლევა მრეწვ. და მომსახურების სფერო. სამრეწვ. წარმოების მოცულობით (3,3%, 1978) და საგარეო საავაჭრო ბრუნვის სიდიდით (ი-ის წილი კაპიტალ. ქვეყნების ექსპორტში 1978 შ. დგენდა 4,6%-ს) ი. მე-6 ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში აშშ-ის, იაპ., გფრ-ის, საფრ. და დიდი ბრიტ. შემდეგ.

მეურნ. უმეტეს დარგებში ბატონობ. მსხვილი მონოპ. კაპიტალი. სახელმ. გაერთიანებებია ნავთობ-აირის მრეწ.

ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲝᲑᲐ ᲔᲛᲬᲘᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ. ᲙᲔᲠᲫᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ. ᲛᲝᲜᲝᲞ. ᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲡ ᲣᲬᲕᲠᲘᲚᲔᲡᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲐ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲨᲢᲐᲗ-ᲘᲡ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ, ᲒᲠᲗ-ᲘᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢ. ᲓᲐ ᲡᲒ.) ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲡᲚ.

ᲛᲝᲜᲝᲞ. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ ᲨᲔᲘᲭᲠᲐ ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲣᲠᲜ. ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲨᲘᲪ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲥ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲤᲔᲝᲓ. ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲘ, ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲠᲔ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ.

Ო-ᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ. ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲝᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲠᲘᲩᲔᲣᲚᲘᲐ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. 78 Ო-ᲨᲘ ᲘᲧᲝ 1,7 ᲛᲚᲜ. ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲐᲠᲘ. Ო. ᲚᲘ. ᲔᲕᲠ. ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲬ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲐᲤᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ. ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ. Ო. ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲐ. ᲓᲘᲓᲘᲐ ᲡᲐᲑᲘᲜᲐᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ, ᲛᲫᲘᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲓ. ᲛᲝᲛᲜᲐᲡᲠᲣᲠᲔᲑᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲔᲓ. ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲖᲕᲝᲗ ᲬᲔᲡᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ ᲞᲔᲜᲡᲘᲘᲡᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ.

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ, Ր-ᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. II ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲚ., ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲠᲒᲔᲢ., ᲥᲘᲛ. ᲓᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲥᲘᲛ. ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ. Ო. ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲡᲣᲡᲢᲐᲓᲐᲐ ᲣᲠᲬᲣᲜᲕᲔᲚᲤᲘᲚᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢ. ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲘᲔᲑᲔᲜ Კ. ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠ.-ᲓᲐᲡ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲐᲞᲔᲑᲨᲘ (ᲡᲣᲡᲢᲐᲓᲐᲐ), ᲛᲣᲠᲐ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ — ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲐᲨᲘ. ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲛᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘ. Ო ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ (1,1 ᲛᲚᲜ. Ტ, 1977) ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲘᲠᲘᲡ (13,7 ᲛᲚᲠᲓ. $Მ^3$, 1977) ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ Კ. ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲕᲐᲙᲔᲨᲘ. Ო-ᲘᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜ. 1/4, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲘᲗᲘ II ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲞᲘᲠᲘᲢᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲘ — ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ. ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲘᲐᲞ. ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲑᲝᲥᲡᲘᲢᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲜᲣᲡᲘᲡ Კ.-ᲙᲐ-ᲡᲐ ᲓᲐ Კ. ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐᲖᲔ, ᲛᲐᲜᲒᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲓᲐᲜᲡ — ᲚᲘᲒᲣᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲘ. ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ Ო-ᲗᲕᲘᲡ ᲢᲠᲐᲓ. ᲒᲝᲒᲝᲠᲓᲘ (ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐ) ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ. Ო. ᲒᲐᲜᲘᲗᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲐᲗ — ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲗᲘ (ᲙᲐᲠᲐᲠᲐ) ᲓᲐ ᲒᲠᲐᲜᲘᲗ.

ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲑᲐᲚᲐᲜᲡᲨᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲠᲐᲕᲡ ᲜᲐᲗᲝᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲘᲠᲘᲡ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲠᲒᲔᲢ. ᲛᲔᲣᲠᲜ. ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲜᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲒ. ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲐᲕᲠᲔᲗᲐ ᲒᲐᲬᲠᲓᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ. ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲮᲒ. ᲬᲘᲚᲘᲐ. ᲰᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ, ᲑᲘᲪ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲚᲐᲞᲔᲑᲨᲘᲐ, ᲘᲛᲔᲚᲔᲑᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲚ. 40%-Ს. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲢᲝᲛᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ.

ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲛᲔᲢᲐᲚ. ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲨᲔᲘᲚ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲑᲝᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲨᲔᲐᲥᲕᲗ ᲛᲝᲮᲡᲛᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡ 75%-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ, ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲚᲚ. 70%, ᲙᲝᲠᲣᲜᲓᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ — ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ. ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲨᲐᲤᲣᲗᲕᲔᲚᲘᲐ 4 ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲚ. ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ Ქ-ᲔᲑᲨᲘ; ᲙᲝᲠᲜᲘᲚᲘᲐ (ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲜᲣᲐ), ᲑᲐᲜᲘᲝᲚᲘ (ᲓᲘᲓᲘ ᲜᲔᲓᲚᲘᲐ), ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲐᲜᲢᲝ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜ. ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ (ᲓᲝᲜᲔᲪᲚᲘᲡᲝᲚᲐ, ᲑᲝᲚᲪᲐᲜᲝ, ᲑᲠᲔᲨᲐ) ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲚᲐᲞᲔᲑᲨᲘᲐ, ᲰᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲑᲚᲝᲑᲚᲐᲓ.

ᲫᲕᲔᲠᲐᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲘᲓᲐᲜ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐᲐ ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘᲡ, ᲢᲘᲢᲐᲜᲘᲡ, ᲗᲣᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲠᲪᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲚᲐᲜᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘᲐ ᲛᲘᲚᲐᲜᲘ, ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ, ᲑᲝᲚᲪᲐᲜᲝ, ᲑᲠᲔᲨᲐ. ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲜᲝᲑᲘ Ქ-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲠᲓᲘᲜᲘᲐᲨᲘ, ᲞᲝᲚᲘᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲗᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲜᲝᲑᲘ — ᲩᲠᲓ. Ო-ᲨᲘ, ᲢᲣᲗᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲗᲘᲡᲐᲡ ᲐᲓᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ, ᲢᲣᲠᲘᲜᲨᲘ, ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ Ქ-ᲔᲑᲨᲘ. ᲕᲔᲠᲪᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲜ ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲐᲨᲘ (Ქ-ᲔᲑᲘ ᲒᲠᲝᲡᲘᲔᲢᲝ, ᲡᲘᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.), ᲛᲐᲒᲜᲘᲣᲛᲘᲡ — Ქ. ᲑᲝᲚᲪᲐᲜᲝᲨᲘ.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ Ო-ᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲠᲒᲐᲜᲐ. ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲰ. ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ 5 ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ „ᲤᲘᲐᲢᲘᲡᲘ" ᲡᲐᲐᲕᲢ. Ქ-ᲜᲐ ᲢᲣᲠᲘᲜᲨᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲡᲐᲐᲕᲢ. Ქ-ᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ, ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘᲡ Ր-ᲨᲘ, ᲛᲝᲜᲓᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲔᲝᲛᲘᲜᲔᲗᲚᲝᲑᲐ. ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲒᲔᲝᲛᲘᲗᲡᲐᲨᲠᲝᲔᲑᲐ ᲒᲔᲜᲣᲘᲡ Ր-ᲨᲘ, ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲚᲘᲕᲘᲝᲠᲜᲝᲨᲘ, ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘᲡ, ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐᲨᲘ, ᲢᲠᲘᲔᲡᲢᲨᲘ, ᲛᲝᲜᲤᲐᲚᲙᲝᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲐᲜᲢᲝᲨᲘ.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜ. ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲛᲐᲚᲣᲠ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜ. ᲓᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲚᲝᲑᲡᲐ. ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲜ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ, ᲗᲣᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲜᲝᲑᲘ — ᲩᲠᲓ. Ო-ᲨᲘ, ᲢᲣᲗᲘᲡᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲗᲘᲡᲐᲡ ᲐᲓᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ, ᲢᲣᲠᲘᲜᲨᲘ, ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ Ქ-ᲔᲑᲨᲘ) ᲓᲐ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲐᲨᲘ. ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲥᲘᲛᲘᲐ. ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ ᲙᲐᲣᲩᲣᲙᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲐᲠᲒᲐᲜᲐ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ., Ր-ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ր-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲢᲘ. ᲨᲐᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ր-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲢᲘ (Ქ. ᲑᲘᲔᲚᲐ), ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝᲐ. ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ (Ქ. ᲙᲝᲛᲝ) ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲤᲥᲕᲐᲕᲘ, ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲡ, ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲢᲐᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘᲐ ᲮᲘᲚᲘᲡ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ, ᲮᲠᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ, ᲬᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲖᲔᲘᲗᲣᲜᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡ (I ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ), ᲚᲘᲕᲘᲜᲘᲡ (ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ), ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲐ. ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲮ. ᲪᲮᲠ. 1.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ. ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲬᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲣᲠᲘ ᲚᲐᲢᲘᲤᲣᲜᲓᲘᲔᲑᲘ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲘᲯᲐᲠᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲝᲗᲘ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲒᲚᲔᲮ ᲛᲝᲯᲐᲛᲐᲒᲠᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲘᲬᲐ. ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚ. ᲢᲘᲞᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲑᲐᲛᲑᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ., Ր-ᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ր-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲢᲘ. ᲨᲐᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ր-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲢᲘ. ᲨᲐᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ր-ᲜᲔᲑᲘᲐ ᲞᲘᲝᲛᲑᲘᲜᲢᲘ (Ქ. ᲑᲘᲔᲚᲐ), ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲝᲡᲙᲐᲜᲐ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲗᲔᲖᲣᲠᲘ ᲑᲝᲭᲙᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲡᲝᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲝᲐ. ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ (Ქ. ᲙᲝᲛᲝ) ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲤᲥᲕᲐᲕᲘ, ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘᲡ, ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ. ᲢᲐᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘᲐ ᲮᲘᲚᲘᲡ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ, ᲮᲠᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ, ᲬᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲖᲔᲘᲗᲣᲜᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡ (I ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ), ᲚᲘᲕᲘᲜᲘᲡ (ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ), ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲑᲐ. ᲛᲠᲔᲬᲕ. ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲮ. ᲪᲮᲠ. 1.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ. ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ. ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲬᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲣᲠᲘ ᲚᲐᲢᲘᲤᲣᲜᲓᲘᲔᲑᲘ. ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲘᲯᲐᲠᲐ ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲝᲗᲘ. ᲑᲔᲕᲠ



იტალია. ქიმიური საწარმოები „მონტეკატინი ედისონ". ნეაპოლი-მადერნო (ლომბარდია).

1978 ავტოპარკში იყო 18 მლნ. ავტომობილი, მ. შ. 17,4 მლნ.—მსუბუქი. რკინიგზის სიგრძეა 19,9 ათ. *კმ*, მ. შ. 9,7 ათ. *კმ* ელექტრიფიცირებულია (1978), დიდ როლს თამაშობს საზღვ. ტრანსპორტი. 1978 სავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 11,5 მლნ. ბრუტო სარეგისტრო ტ. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია: გენუა, ვენეცია, ნეაპოლი, მხოლოდ სატვირთო ნავსადგურებია აუგუსტა, ტარანტო, სპეცია. გაყვანილია შიგა წყლის გზები, აირსადენები, ნავთობსადენები. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია ფიუმიჩინო (რომი).

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1978 0-ის ექსპორტმა შეადგინა 44220 მლრდ. ლირა, იმპორტმა — 44568 მლრდ. გააქვთ მანქანათმშ. პროდუქცია, სას.-სამ. და სასურსათო საქონელი (ხილი, ბოსტნეული, ყველი და სხვ.), საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ქიმ. მრეწვ. პროდუქცია, ნავთობპროდუქტები. შეაქვთ ნავთობი, ქვანახშირი, ნედლეული მეტალ. და საფეიქრო მრეწველობისათვის, მანქანათმშ. პროდუქცია, ხე-ტყე, ქაღალდი, სურსათი (მარცვლეული, ხორცი, თევზი, ყავა და სხვ.). საგარეო ვაჭრობაში წამყვანია ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები (განსაკუთრებით გფრ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და აშშ. 1978 სოციალ. ქვეყნებზე მოდიოდა ექსპორტის 4,2% და იმპორტის 5,1%, მ. შ. სსრკ-ზე, შესაბამისად, 2,0% და 2,7%.

1978 0. დაათვალიერა დაახლ. 50 მლნ. უცხოელმა ტურისტმა. ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა დაახლ. 4000 მლრდ. ლირა.

ლიტ.: Галкина Т., Сысоева Н., Италия, М., 1972; Италия, [М., 1973].

VIII. შეიარაღებული ძალები

0-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობაა (1972 დასაწყისისათვის) დაახლ. 415 ათ. კაცი. გარდა ამისა, არის კარაბინერების ჯარი (დაახლ. 80 ათ. კაცი). მთავარსარდალია პრეზიდენტი. უმაღლესი სამხ. ხელმძღვანელი — თავდაცვის უმაღლესი საბჭო და სამხ. კაბინეტი (პრეზიდენტის სამუშაო ორგანო). უშუალო ხელმძღვანელია თავდაცვის მინისტრი, რ-საც ემორჩილება გენ. შტაბი, სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო და სამხ.-საზღვ. ძალების შტაბები. პირადი შემადგენლობა კომპლექტდება საყოველთაო სამხ. ვალდებულების კანონის საფუძველზე და მოხალისეების დაქირავებით. სავალდებულო სამხ. სამსახურის ვადაა სახმელეთო ჯარებსა და სამხ.-საჰაერო ძალებში — 15 თვე, სამხ.-საზღვ. ძალებში — 24 თვე. სახმელეთო ჯარები (295 ათ. კაცი) გაერთიანებულია 1 საარმიო სამმართველოში და 4 საარმიო კორპუსში. მისი შენაერთების დიდი ნაწილი შედის ნატოს გაერთ. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. სამხ.-საჰაერო ძალების (დაახლ. 75 ათ. კაცი) შემადგენლობაშია 300 საბრძოლო თვითმფრინავი, სამხ.-საზღვ. ძალებში (45 ათ. კაცი) — 200-ზე მეტი ხომალდი და კატარღა, მ. შ. 4 მსუბუქი კრეისერი, 11 საესკადრო ნაღმოსანი, 9 წყალქვეშა ნავი და სხვ. სამხ.-საზღვ. ბაზებია: ანკონა, ბრინდიზი, ლივორნო და აუგუსტა.



იტალია. პ. ლ. ნერვი. ა. ვიტელოცი. პალაცეტო (სპორტის მცირე სასახლე) ინტერიერი. რომი. 1957.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1971 შობადობა 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 16,8; საერთო სიკვდილიანობა—9,6; ბავშვთა სიკვდილიანობა—29,0 ყოველ 1000 ცოცხლად შობილზე. 1964—67 სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა იყო 71 წელი. 0-ში ჭარბობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, ავთვისებიანი სიმსივნეები, მეტად გავრცელებულია სუნთქვის ორგანოების კიბო (განსაკუთრებით მამაკაცებში). ზოგიერთ რ-ნში ხშირია საჭმლის მომხელებელ ორგანოთა კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა. მატულობს შაქრიანი დიაბეტით სიკვდილის შემთხვევები, ავადობა ვირუსული ჰეპატიტით. მცირდება მუცლის ტიფით, პარატიფით, ტუბერკულოზით, აგრეთვე ბავშვთა ინფექციებით (დიფთერია, პოლიომიელიტი, ქუნთრუშა, ყივანახველა) ავადობა. გავრცელებულია ბრუცელოზი, აღრიცხულია ლეპტოსპიროზის, ტეტანუსის შემთხვევები და სხვ.

0-ში არის ჯანდაცვის კერძო-კაპიტალ. სისტემა. ხანშესულთა და შრომისუუნაროთა უზრუნველყოფა 0-ის მშრომელთა ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოც.-ეკონ. პრობლემაა. ძალზე მაღალია სადაზღვევო გადასახადი (ჯამაგირის 6,35%). მამაკაცების საპენსიო ასაკი 60 წელია, ქალებისა — 55. 1965—68 სამრეწვ. ტრავმატიზმმა იმატა 15%-ით; 1969 აღრიცხულია 1,3 მლნ, ხოლო 1970 — 1,4 მლნ. ტრავმა და პროფ. დაავადება.

1969 0-ში იყო 2,2 ათ. საავადმყოფო დაწესებულება 5,11 ათ. საწოლით (9,6 საწოლი 1000 მცხოვრებზე), გულ-სისხლძარღვთა და რევმატული დაავადებების სამკურნ. 160 განყ-ბა, დიაბეტის სამკურნ. 80 სპეციალიზებული ცენტრი, კიბოს სამკურნ. ძირითადი ცენტრები მილანში, რომსა და ნეაპოლში.

1969 იყო 95,2 ათ. ექიმი (1 ექიმი 559 მცხოვრებზე), 34,2 ათ. ფარმაცევტი (1965), 69,1 ათ. მედდა და ბებიაქალი (1965). სამედ. კადრებს ამზადებს 21 სამედ. ინ-ტი, რომის უნ-ტის სამედ.-ქირურგ. ფაკ-ტი, 11 კბილის სამკურნ., 22 ფარმაცევტული და 31 სამეანო სკოლა.

ლიგურიის სანაპიროზე მდებარეობს კლიმ. კურორტების რ-ნი, ე. წ. იტალ. რივიერა. პოპულ. მთის კლიმ. კურორტებია ბოლცანო, *მერანი* და სხვ. 1966 ჯანდაცვაზე დაიხარჯა 360 მლნ. ლირა, ანუ სახელმწიფოს საერთო ბიუჯეტის 3%.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

1947 კონსტიტუციით დადგენილია 8-წლიანი სავალდებულო განათლება 6—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. რელიგ. სწავლება სავალდებულოა ყველა სკოლაში. ბევრია კერძო სკოლა. 1976 0-ის სკოლამდელ დაწესებულებებში (დედობრივი სკოლები, საბავშვო ბაღები, კერები და სხვ.) იყო 3 მლნ-ზე მეტი აღსაზრდელი. დაწყ. სკოლა 5-წლიანია, დაბალი საშ. სკოლა — 3-წლიანი. 1976 წ. 375 ათ-ზე მეტ დაწყ. სახელმწ. სკოლაში სწავლობდა 4,8 მლნ-ზე მეტი ჰოსწავლე 8,7 ათ-ზე მეტ დაბალ საშ. სკოლაში — 2,1 მლნ-ზე მეტი მოსწავლე (დაბალი საშ სკოლები მხოლოდ იმ დასახლ. პუნქტებ შია, სადაც 3 ათ-ზე მეტი კაცი ცხოვრობს) სრული საშ. ზოგადსაგანმან. სკოლები 5-წლიანი კლასიკური ლიცეუმები (გიმნა ზია-ლიცეუმი) და რეალური ლიცეუმები კლასიკური ლიცეუმების დაჰთავრების ატესტატი იძლევა უნ-ტის ყველა ფაკ ტზე შესვლის უფლებას, ხოლო რეალურ ლიცეუმისა — უნ-ტის ყველა ფაკ-ტზე, გარ და ფილოს. და ფილოლოგიურ ისა. 197 წ. 750-ზე მეტ კლასიკურ ლიცეუმში სწავ ლობდა 200 ათ-ზე მეტი მოსწავლე, 600 ზე მეტ სახელმწ. რეალურ ლიცეუმში — 220 ათ-ზე მეტი მოსწავლე. პროფგანათ ლებას იღებენ 3—5-წლიან ინ-ტებსა დ 2-წლიან ტექ. სკოლებში. 1976 წ. 1800-ზ მეტ პროფ. ინ-ტსა და ტექ. სკოლაში სწავ ლობდა 215 ათ-მდე მოსწავლე. საშ. სავ განათლებას იძლევა 5-წლიანი ტექ. ინ ტები. 1976 წ. 70 სას.-სამ. ტექ. ინ-ტშ სწავლობდა 15,5 ათ. მოსწავლე, 470-მდ ინდუსტრ. ტექ. ინ-ტში — 240 ათ-ზე მეტ მოსწავლე, 700-მდე კომერც. ტექ. ინ-ტში 220 ათ-ზე მეტი მოსწავლე და ა. შ. ინ-ტ დამთავრების მოწმობა იძლევა უნ-ტის ზ გიერთ ფაკ-ტზე და სხვ. უმაღლეს სასწავ ლებელში შესვლის უფლებას. 3-წლიან პედ. სკოლები ამზადებს სკოლამდელთა ა მზრდელებს (1976 წ. 150-ზე მეტ პედ სკოლაში სწავლობდა 25 ათ-მდე მოსწავ ლე), 4-წლიანი პედ. ინ-ტები ამზადებ დაწყ. სკოლის მასწავლებლებს (1976 600-მდე პედ. ინ-ტში სწავლობდა 200 ათ-ზ მეტი მოსწავლე). საშ. სკოლის მასწავლ ბლებს ამზადებს უნ-ტები და უმაღლეს ნორმალური სკოლები. უნ-ტების სხვადასხ ფაკ-ტებზე სწავლების ვადა 4—6 წელ 0-ში არის ევრ. უძველესი და უდიდესი უ ტები: პარმის (XI ს.), *ბოლონიის უნივერ სიტეტი, რომის უნივერსიტეტი, ნეაპოლ უნივერსიტეტი,* აგრეთვე ბარის, ფლორე ციის, ტურინის, გენუის, მილანის, პადუ პალერმოსა და სხვ. მნიშვნელოვანია პოლ ტექ. ინ-ტები ტურინსა და მილანში, ა მოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი ნეაპოლ პედ. ინ-ტი პიზაში და სხვ. 1976 უმაღლ სასწავლებლებში სწავლობდა 500 ა მდე სტუდენტი.

საბუნებისმეტყველო და ტექ. მეცნ რებათა დარგებში არსებულ ყველა მეცნ. დაწესებულებას ხელმძღვანელო კვლევის ეროვნ. საბჭო (1923); მას ექვ დებარება 70-მდე სამეცნ.-კვლ. ინ-ტი ლაბორატორია, 108 კვლევითი ცენტრ საბჭო ორგანიზაციას უკეთებს საინფო მაციო სამსახურს და კონტროლს უწ 0-ის საერთაშ. სამეცნ. კავშირებს. ატომ რი ენერგიის კვლევის საქმეს ხელმძღ ნელობს ატომური ენერგიის ეროვნ. კომ ტეტი (1960). ფუნდამენტური კვლევ მნიშვნელოვანი ცენტრია ბირთვული ფი ინ-ტი; სოფ. მეურნ. პრობლემებს ამუ ვებს 22 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, რ-ებიც ექვ დებარება სოფ. მეურნ. და ხე-ტყის სა ნისტროს. მას ექვემდებარება აგრეთ მეტეოროლ. სამმართველოს ოკეანოგრაფ ის ინ-ტები და ობსერვატორიები. ჯანდ ვის სამინისტროს ექვემდებარება ბიო ქიმ., ფარმაკ., ბიოლ., მიკრობიო და პარაზიტოლ., ჰიგიენისა და ს ლაბორატორიები, აგრეთვე ჯანდაც უმაღლესი ინ-ტი. 0-ის ფირმებთან მუ ობს 700-მდე სამეცნ.-კვლ. დაწესე ლება. 0-ის აკადემიები, სამეცნ. საზ-ბ და ასოციაციები უშუალოდ არ ეწევა მეცნ. კვლევას. მნიშვნელოვანია *დეი ლ ჩეის ეროვნული აკადემია* (1603). 0 მუშაობს საერთაშ. ორგანიზაცია: გენ და ბიოფიზ. ინ-ტი ნეაპოლში, თეორ. ზიკის ცენტრი ტრიესტში, მექანიკის ც ტრი უდინოში, ბირთვ. კვლევის ცენტ

რში. სამეცნ. კვლევაზე დახარჯული
ნის მიხედვით Ი. ევრ. ქვეყნებს შორის
ი-ერთ ბოლო ადგილზეა.
დიდი ბ-კებია: ეროვნ. ცენტრ. რომში
აარსდა 1876; 2,2 მლნ. ტ., 1893 ინკუ-
ული), რომის, ნეაპოლის, ბოლონიის,
ნის, მოდენის, პალერმოს უნ-ტების
ები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნა-
Ი-ის ყველა ბ-კაში დაცული ინკუნა-
ლების კრებულები.
Ი-ში 150-ზე მეტი მუზეუმია, მ. შ. მნი-
ნელოვანია ეროვნ. მუზეუმი (1889),
ლა ჯულიას მუზეუმი (1889), ბორგეზეს
ლერეა (1616), ანტ. ხელოვნ. ეროვნ.
ლერეა (1895), თანამედროვე ხელოვნ.
ოვნ. გალერეა (1883) — ყველა რომ-
; უფიცის გალერეა ფლორენციაში;
რათების გალერეები მესინაში, ნეაპოლ-
პალერმოში, პერუჯაში, რავენაში,
რონტოში და სხვ.; დოჟების სასახლე
ეციაში და სხვ.

. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1978 Ი-ში გამოდიოდა დაახლ. 155-
) ყოველდღიური გაზეთი და ყოველკვი-
ული. გავლენიანი ბურჟ. გაზეთებია:
ორიერე დელა სერა" („Corriere della
a", 1876-იდან, მილანში, ტირაჟი 536
ც.); „სტამპა" („La Stampa",
16-იდან, ტურინში, ტირაჟი 362,2 ათ.
, „მესაჯერო" („Messaggero", 1878-
ან, რომში, ტირაჟი 264,5 ათ. ც.) „ნა-
ონე" („Nazione", 1859-იდან. ფლორენ-
აში, ტირაჟი 235,9 ათ. ც.) და სხვ. Ი-ის
ჰპარტიის ორგანოებია: გაზ. „უნიტა"
Unità", 1924-იდან, რომსა და მილანში,
რაჟი 300 ათ. ც.); ჟურნალები „რინა-
ჭა" (Rinàscita", 1944-იდან, რომში)
„კრიტიკა მარქსისტა" („Critica Mar-
ta", 1963-იდან რომში). სოციალ. პარ-
ის ორგანოა გაზ. „ავანტი!" („Avanti!",
6-იდან, რომსა და მილანში, ტირაჟი
ახლ. 190 ათ. ც.); ქრისტ.-დემოკრ. პარ-
ის ორგანოა გაზ. „პოპოლო" („Popo-
, 1944-იდან რომში, ტირაჟი 102 ათ. ც.).
Ი-ის საინფორმაციო სააგენტო „ან-
დაარსდა 1945 რომში.
Ი-ის რადიოგადაცემები დაიწყო 1924,
ელევადაცემები — 1954-იდან. შიგა გადა-
ები წარმოებს ძირითადად იტალ., აგ-
ვე გერმ. და სლოვენურ ენებზე. საზღ-
გარეთისათვის 22 ენაზე. Ი-ში 4 რა-
ო- და ტელეცენტრია: რომში, მილან-
ნეაპოლსა და ტურინში. რადიოსა
ტელევიზიას განაგებს საქციო საზ-ბა
დიო ე ტელევიზიონე იტალიანა", რ-საც
ტროლს უწევს სახელმწიფო.

XII. ლიტერატურა

ქვეყნის ისტ. განვითარების თავისებუ-
ობამ, ურიცხვმა შემოსევამ და საერთო
ლიტ. ვითარებამ არ შემოგვინახა იტალ.
ეპოსი. რომის იმპერიის დაცემის
დეგ, VI—XII სს-ში, ლიტ. ნიმუშები
ღვთისმეტყველო თხზულებები, ქრო-
ები, რელიგ. ჰიმნები, ლეგენდები და
) იწერებოდა ლათ. ენაზე. X—XI სს-
იქმნებოდა პირველი ლიტ. ძეგლები
ლექტებზე; ჩრდ. და ცენტრ. Ი-ში გა-
ელდა რელიგ. პოეზია, უმბრიაში —
ეიგ. ლირიკა (ფრანსისკ ასიზელი,
2—1226, იაკოპონე და ტოდი), სამოჯ-
ო ლირიკა განვითარდა სიცილიაში,
ჩამოყალიბდა ე. წ. სიცილიური სკოლა
ოდო დელე კოლონე, პიეტრო დე ლა
ია, იაკოპო და ლენტინი, ჩულო დ'ალ-
ო, ფოლკაკიერო სიენელი და სხვ.),
აც ძირითადად კურტუაზული ხასიათი
ნდა. კულტ. ცენტრმა გადაინაცვლა
. და ცენტრ. Ი-ში; ჰეგემონია მოიპოვა
ტკანამ. აქ გაჩნდა პოლიტ. ლირიკის
ველი ნიმუშები (გვიტონე დ'არეცო,
ახლ. 1230—94), ალეგორიულ-დიდაქტ.
პოეზია (ბრუნეტო ლატინი). ტოსკანურ
დიალექტზე შეიქმნა XIII ს. მნიშვნელო-
ანი ძეგლი — ანონიმური ნოველების
კრებ. „ნოველინო".
XIII ს. დასასრ. ჩამოყალიბდა პოეტუ-
რი სკოლა *„დოლჩე სტილ ნუოვო"*, რ-ის
საუკეთესო წარმომადგენლებმა გ. *გვინი-
ცელიმ*, გ. *კავალკანტიმ*, ახალგაზრდა
დანტემ და სხვებმა სრულყვეს იტალ. ენა,
პოეზიას მიანიჭეს ღრმა ფილოს. აზრი და
განადიდეს ადამიანური გრძნობები. დან-
ტემ თავისი შემოქმედებით, განსაკუთრე-
ბით პოემით „ღვთაებრივი კომედია", და-
აკავშირა ორი ეპოქა — შუასაუკ. და აღორ-
ძინება. ახ. გარდამავალი ეპოქის განწყო-
ბილებები და ნიშნები თვალსნათლივ გა-
მოჩნდა ფ. *პეტრარკას* შემოქმედებაში. ად-
რე „მდაბალ" ჟანრებად მიჩნეული რომა-
ნი და ნოველა აღმავლობის გზას დაად-
გა. ლირ. სამყარომ ადგილი დაუთმო ეპი-
კურს, იმქვეყნიურმა და ღვთიურმა — ადა-
მიანურსა და ბუნებრივს. ამ ძვრებს სრუ-
ლად შეესატყვისებოდა ჯ. *ბოკაჩოს* შე-
მოქმედება, რ-იც დაუბირისპირდა მოძვე-
ლებულ ფორმებს და საფუძველი ჩაუყარა
ახ. თანამედროვე ლიტ-რას, განამტკიცა
ახ. ჰუმანისტური მორალი. XIV ს. უკანას-
კნელი მწერალი იყო ფ. *საკეტი*, რ-ის 300
ნოველა მკვეთრი დემოკრ. ხასიათით გა-
მოირჩევა.
XV ს. ლიტ-რამ მიიღო მეცნ. ხასიათი
და არისტოკრ. მიმართულება, მოწყდა
მასებს, ხალხ. ენას. აღადგენდნენ ანტ. ჟან-
რებს. წერდნენ ლათ. ენაზე. ანტ. ნიმუშე-
ბის მიხედვით ქმნიდნენ დიდაქტ. პოემებს,
ტრაგედიებს, კომედიებს, ტრაქტატებს. ამ
დროს მოღვაწეობდნენ მეცნ.-ჰუმანისტები
ლ. *ბრუნი*, ჯ. პონტანო, ჯ. ფ. პ. *ბრა-
ჩოლინი*, ლ. *ვალა*, ლ. ბ. *ალბერტი*.
XV ს. დასასრ. ლიტ-რა იქმნებოდა
ხალხ. ენაზეც, მთავართა კარზე ყალიბდე-
ბოდა ლიტ. წრეები. აღსანიშნავია ლ. *მე-
დიჩის* ლიტ. წრე, რ-იც ხალხ. პოეზიას
ანტ. ლიტ-რასთან აკავშირებდა. აღორძი-
ნების საკარო პოეზიას ახასიათებდა სახეთა
პლასტიკურობა, დახვეწილი გამოთქმები,
ლექსის მელოდიურობა (ა. *პოლიციანი*).
ხალხ. პოეზიასთან სიახლოვე გამოვლინ-
და დ. *ბურკიელოს* სატირულ და სახუმა-
რო სონეტებში, აგრეთვე ლ. ჯუსტინიანის
(1388—1446) ლირიკაში. ბურლესკური
რომანის ჟანრი შექმნა ლ. *პულჩიმ* (პოე-
მა „დიდი მორგანტე"); ბურლესკური ელე-
მენტები, ირონია, იუმორი, ბუფონადა გა-
მოჩნდა მ. მ. *ბოიარდოს* სარაინდო რომანში
„გამოჯნურებული ორლანდო", რ-საც მრა-
ვალი მიმბაძველი და გამგრძელებელი
ჰყავდა (ფ. *ბერნი*, ლ. დომენიკი და სხვ.).
არაგონელ მეფეთა კარზე წარმოიქმნა
პასტორალი, რ-ის მსამთავრად მიჩნეუ-
ლია ი. *სანაძარო*. Ი-ის რენესანსულ კომე-
დიას საფუძვლი ჩაუყარა ლ. *არიოსტომ*,
რ-ის პოემა „შმაგი ორლანდო" გამსჭვა-
ლულია ჰუმანისტური იდეალებით; არი-
ოსტოს შემოქმედებამ ერთგვარად შეაჯა-
მა და დაასრულა აღორძინება. მის მიმ-
დევართა, განსაკუთრებით უ. ფოლენ-
გოს (ფსევდ. მერლინ კოკაიო, 1496—1544),
შემოქმედებაში (პოემა „ბალდუსი") აშ-
კარად გამოჩნდა XVI ს. ზნე-ჩვეულებების,
ლიტ. ფორმების, რელიგ. შეხედულებების
მძაფრი სატირა. მის სახელთანაა დაკავ-
შირებული აგრეთვე *„მაკარონული პოეზი-
ის"* პირველი ნიმუშები. სატირის, პარო-
დიის, ტრავესტის, მაკარონიზმის მომძლავ-
რებას მოჰყვა კლასიკური ჟანრების დაქ-
ვეითება და სკეპტიციზმი რენესანსული
იდეალების მიმართ. რეფორმაციისა და
კონტრრეფორმაციის გავლენით გაჩნდა ყო-
ველგვარი მიწიერის ამაოების შეგრძნების
მოტივებიც. უკვე XVI ს-ში შეიმჩნეოდა
მანერიზმის ელემენტები, რამაც ნიადაგი
შეუმზადა ბაროკოს პოეტიკას, „ახალ ხე-
ლოვნებას". კომედიის ბრწყინვალე ნიმუ-
შები შექმნეს ბ. დოვიციმ (ბიბიენა, 1470 —
1520), ნ. *მაკიაველიმ*, ჯ. *ბრუნომ*,
პ. *არეტინომ*, რ-ის ტრაგედია „ორაცია"
(1546) მიჩნეულია კლასიციზმის ერთ-ერთ
პირველ ნიმუშად. ამავე პერიოდში ვითარ-
დებოდა იმპროვიზებული კომედიის სახე
„კომედია დელ'არტე". ტრაგედიები უმთავ-
რესად ანტ. ნიმუშების მიხედვით იწერე-
ბოდა (ჯ. რუჩელაი, 1475 — 1525; ჯ.
ტრისინო, ჯ. ჯ. ჩინტიო, 1504 — 1573);
პროზის ნიმუშები იყო ბ. *კასტელი-
ონეს* „კარისკაცი", ბ. *ჩელინის* მემუარე-
ბი, უპირატესად ბოკაჩოს მიბაძვით და-
წერილი ნოველები (ა. *ფირენცუოლა*, მ.
ბანდელო, ა. ფ. გრაციანი, 1503—84) და
სხვ. პოეზიაში დომინანტობდა პეტრარ-
კიზმი და პლატონიზმი (ა. *კარო*, ვ. *კო-
ლონა*, ვ. *გამბარა*, გ. სტამპა, 1520—54 და
სხვ.). ცალკე უნდა აღინიშნოს მიქელანჯელ-
ოს მოქალაქეობრივი ღირსებით გამსჭვ-
ალული პოეზია, რ-შიც, ისევე როგორც
ჯ. *დელა კაზას*, ლ. ტასნილოს (1510—
68), ა. დი კოსტანცოს (1507—91) და სხვ.
შემოქმედებაში, შეინიშნება გარკვეული
მანერიზმი. აღორძინების უკანასკნელი დი-
დი პოეტი და მანერიზმის პოეზიის ერთ-
ერთი პირველი წარმომადგენელი იყო ტ.
ტასო.
XVII ს-ში ესპ. ბატონობას Ი-ში დაერ-
თო კათოლ. რეაქცია, რ-მაც იმსხვერპლა
ჯ. ბრუნო და გ. გალილეი. დაიმსხვრა
გონების ყოვლისშემძლეობის ილუზიები,
გამეფდა უნდობლობა, ეჭვი. ამ პერიოდში
წამყვანი გახდა ბაროკოს სტილი. პოეზი-
აში მომძლავრდა მეტაფორულობა. ჰი-
პერბოლა. ბაროკოს სტილის მამამთავარი
იყო ჯ. *მარინო*, რ-ის მიხედვით ამ მიმდი-
ნარეობას ეწოდა *მარინიზმი*. მარინიზმს
დაუპირისპირდნენ ა. *ტასონი*, ს. *როზა* და
ლიტ. აკადემია *არკადია*.
XVIII ს-ში განსაკუთრებით ძლიერი
იყო განმანათლებლური ტენდენციები, რა-
საც ხელი შეუწყო ეროვნ. თვითშეგნების
აღმავლობამ. იქმნებოდა ისტ. და ფილოს.
თხზულებები (ლ. ა. *მურატორი*, 1672—
1750; ჯ. *ვიკო*), განვითარდა ჟურნალისტი-
კა (გ. *ბოცი*, ჯ. ბარეტი, 1719—89), მნიშ-
ვნელოვანი ცვლილებები მოხდა თეატრსა
და დრამატურგიაში, რაც განაპირობა კ.
გოლდონის რეფორმამ. გოლდონის მოწი-
ნააღმდეგე კ. *გოცი* ავითარებდა ზღაპრულ
„ფიაბის" ჟანრს. პოეტმა კ. ი. ფრუგონიმ
(1692—1768) დაამკვიდრა თეთრი ლექსი.
ჯ. *პარინის* პოეზიაში აისახა საუკუნის II
ნახევრის პოლიტ. და კულტ. ცხოვრების
ტენდენციები. დიდი მოვლენა იყო ვ. *ალ-
ფიერის* რევ. კლასიციზმის სულისკვეთე-
ბის დრამატურგია, რ-შიც შეინიშნებოდა
ადრინდ. რომანტიზმის ნიშნები და გარ-
კვეული იმპულსი *რისორჯიმენტოს* რო-
მანტ. ესთეტიკის განვითარებისათვის.
XIX ს-ში დაიწყო რისორჯიმენტოს
ეპოქა. ლიტ-რაში გაბატონდა ეროვნ.-
განმათ. იდეები. პოეზიამ, პროზამ, გან-
საკუთრებით კი დრამატურგიამ შეიძინა
მკვეთრი პოლიტ. ხასიათი და მნიშვნელო-
ბა. იტალ. რომანტიზმი, რ-საც დიდად გა-
ნაპირობებდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობა,
გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი პათოსით,
პატრიოტიზმით, იდეოლოგიური მფლია-
ნობით. თუმცა ეროვნ. პრობლემებისადმი
გაძაფრებული ყურადღება ერთგვარად
ზღუდავდა მის თემატიკას. გამონაკლისი
იყო ჯ. *კარდუჩის* პოეზია, რ-იც გასცდა
ეროვნ. ფარგლებს. იტალ. რომანტიზმის
განსხვავებული თვისება იყო მისი კავშირი
კლასიციზმთან (ვ. *მონტი*, უ. *ფოსკოლო*,
ჯ. პინდემონტე, 1751—1812; ი. პინდემონ-
ტე, 1753—1828); აღსანიშნავია მილანის
წრის რომანტიკოსების მოღვაწეობა (ლ.
დი ბრემე, 1780—1820, დეკლარაცია „მსჯე-
ლობა", რომანტიზმის მანიფესტად აღია-
რებული ჯ. *ბერშეს* „ოქროპირის ნანეგ-
რად სერიოზული წერილები"). ამ პერი-
ოდში დიდი პოპულარობა მოიპოვა ს. *პე-
ლიკოს* ტრაგედიამ „ფრანჩესკა და რიმინი".
ეპოქის უდიდესი პოეტი იყო ჯ. *ლეოპარ-
დი*, ხოლო რისორჯიმენტოს უდიდესი



ბტალია. ჯ. ტ ერ ა ნ ი. სახალხო სახლი. კომო. 1932.



იტალია. ბ. ლ ო მ ბ ა რ დ ი. სანტა-მარია დეი მირაკოლის ეკლესია. ვენეცია. 1481-89.

პროზაიკოსი — ა. *მანჭონი*, ისტ. რომანის ფუძემდებელი იტალ. ლიტ-რაში. 30—40-იანი წწ. ლიტ-რას უმეტესად რიტორიკული და დეკლამაციური ხასიათი ჰქონდა. ძლიერი იყო პუბლიცისტიკა. არ ჩანდა სოც. პრობლემატიკა, სოც.-ფსიქოლ. რომანი. სოც. საკითხებს უფრო სატირული პოეზია აყენებდა. ჭარბობდა ლირ. პოეზია და ისტ. რომანი. კრიტ. რეალიზმი თავისი კლასიკური გამოხატულებით იტალ. ლიტ-რაში არ შეინიშნებოდა, თუმცა რეალისტური ტენდენცია ადრევე თვალსაჩინო იყო არა ერთი რომანტიკოსის შემოქმედებაში (ჯ. ლეოპარდი, ა. მანჭონი, ი. ნიევო). რისორჯიმენტოს დრამა განავითარა ჯ. ბ. *ნიკოლინიმ*. მემუარული ლიტ-რიდან აღსანიშნავია ჯ. *გარიბალდის* „მემუარები". ახ. რეალისტურ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი ფ. *დე სანქტისმა*.

რისორჯიმენტოს გმირულ ეპოქას მოჰყვა საყოველთაო იმედგაცრუება, ანარქია, რასაც შეესატყვისებოდა ლიტ. წრის „სკაპილიატურას" მოღვაწეობა. იგი დაუპირისპირდა რომანტიზმს, იცავდა ხელოვნ. დამოუკიდებლობის იდეას. XIX ს. მიწურულს ყველაზე ძლიერი ლიტ. მიმდინარეობა იყო *ვერიზმი* (ჯ. *ვერგა*, ლ. *კაპუანა*, გ. *დელედა*, მ. *სერაო*, ს. *დი ჯაკომო* და სხვ.). ვერიზმის გავლენით დაიწყო ლიტ. მოღვაწეობა მწერალმა ლ. *პირანდელომ*, რ-მაც XX ს. 10-იან წლებში მოახდინა თეატრის რეფორმა, შექმნა ე. წ. „პირობითი თეატრის", „გროტესკის თეატრის" ლრმად ფილოს. და ფსიქოლ. პიესები. ვერიზმის ზოგიერთი მოტივი—ლრმა პესიმიზმი, გარდაუვალი ბედისწერის იდეა და სხვ. საუკუნის დასასრულს აიტაცა დეკადენტურმა მიმდინარეობამ. წარმოიქმნა ნეორომანტიკული (ა. *ფოგაცარო*) და სიმბოლისტური (ჯ. *პასკოლი*) მიმდინარეობები. დაიწყო ძლიერი ნაციონალისტური მოძრაობა, ომის, ნიცშეანური ზეკაცის, ძლიერი პიროვნების განდიდება (ჯ. *პაპინი*, ა. სოფიჩი, ფ. ტ. *მარინეტი*, გ. *დ'ანუნციო* და სხვ.). XX ს. დასაწყ. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბ. *კროჩეს* მიერ წამოყენებული „იტალიის ზნეობრივი და სულიერი გარდაქმნის" მოძრაობა. საზ-ბასთან უთანხმოება, შექმნილი ვითარებით გამოწვეული უკმაყოფილება მკვეთრად გამოჩნდა ე. წ. „კრეპუსკოლართა" ანუ „მწუხრის" პოეზიაში, რ-იც ადამიანს შთააგონებდა საზ. და პოლიტ. ცხოვრებისაგან განდგომას (კ. ზბარბარო, კრებ. „პიანისიმო", 1914; კ. რებორა, „ლირიკული ფრაგმენტები", 1913). გ. გოცანოს (1883—1916) შემოქმედებით დაიწყო ახ. „ნოვეჩენტოს" პოეზია. *ფუტურიზმის* იდეოლოგი და მამამთავარი გახდა ფ. ტ. მარინეტი. ამ მეტად გავრცელებული მიმდინარეობის მანიფესტები ნაციონალიზმის ნამდვილი აპოლოგია იყო. ფუტურისტებმა თავიანთი შემოქმედება „სახელმწიფო რევოლუციურ ხელოვნებად" გამოაცხადეს და ფაშიზმის სამსახურში ჩადგნენ. ფაშიზმის წინააღმდეგ ერთგვარ პროტესტს გამოხატავდა *ჰერმეტიზმის* ლიტ. სკოლა, რ-იც ასევე სოც.-პოლიტ. ცხოვრების უგულებელყოფას, საკუთარ სულიერ სამყაროში ჩაკეტვას ქადაგებდა. ამ სკოლიდან გამოვიდნენ პოეტები ს. *კვაზიმოდო*, ე. *მონტალე*, ჯ. *უნგარეტი*. 1925 მ. *ბონტემპელიმ* შექმნა თავისებური პოეტიკა — „მაგიური რეალიზმი" და დასაბამი მისცა „ნოვეჩენტოს" მოძრაობას. ფაშიზმის 20 წლის ბატონობამ გააღარიბა იტალ. კულტურა, მოწყვიტა მასებს, საზ. პრობლემებს და მძიმე იდეურ კრიზისამდე მიიყვანა. ერთგვარ ლიტ. თავშესაფრად იქცა „წმინდა ხელოვნება", „არისტოკრატიული პროზა" და სხვ. მაგრამ უკვე ანტიფაშისტური მოძრაობის პერიოდშივე დასრულდა ცხოვრებას მოწყვეტილი ლიტ-რის ხანა. წინააღმდეგობის მოძრაობამ, ომისა და მისი მომდევნო პერიოდის საზ. ცხოვრებამ განსაზღვრა *ნეორეალიზმის* თემატიკა და ესთეტ. პოზიციები. წინააღმდეგობის ლიტ-რის მორალური იმპულსები შექმნა ვ. *პრატოლინიმ*. 1957 გამოიცა „იტალიური წინააღმდეგობის ანთოლოგია", რ-შიც შევიდა XX ს. საუკეთესო მწერლებისა და პოეტების ს. *კვაზიმოდოს*, უ. *საბას*, ა. *გატოს*, კ. *გოვონის*, ჩ. *პავეზეს* და სხვ. თხზულებები. წინააღმდეგობის თემაზე საუკეთესო ნაწარმოებები შექმნეს კ. *ბერნარიმ* (ჯ. 1909), ფ. *იოვინემ* (1903—50), ე. *ვიტორინიმ* („წითელი მიხაკი", „სიცილიური საუბრები"), ჩ. *პავეზემ* („ამხანაგი"), კ. *კასოლამ* (რომანი „ფაუსტო და ანა", „ბუბეს საცოლე"), კ. *ლევიმ* („ქრისტე ჩამოხდა ებოლიში"), ე. *დე ფილიპომ* (კომედიები). ამ დროს გამოიკვეთა ა. *მორავიას* შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკაც. 1957 დაარსდა ჟურნ. „ვერი", რ-იც თავს ესხმოდა ნეორეალიზმის იდეოლოგიასა და ესთეტიკას. შეიქმნა „ჯგუფი 63", რ-მაც თავი გამოაცხადა „ახალ ავანგარდად" (ე. სანგუინეტი, ა. ჯულიანი, ა. პორტა და სხვ.). იგი მკვეთრად გაემიჯნა რეალიზმს. უკანასკნელი პერიოდის იტალ. ლიტ-რა ჟანრობრივად მრავალფეროვანია. წინა პლანზეა წამოწეული ადამიანსა და „ინდუსტრიულ საზოგადოებას" შორის ურთიერთობის პრობლემა. ჟურნ. „მენაბოს" გარშემო დაჯგუფდნენ მწერლები, რ-ებიც დაინტერესებული არიან თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიით, მასზე გარემოს გავლენის პრობლემებით. ამ მხრივ გამოირჩევიან მწერლები გ. პარიზე, ი. კრემასკი, ლ. ბიჯარეტი, მ. სოლდატი და სხვ. აშკარად შეიმჩნევა სინამდვილისადმი კრიტ. დამოკიდებულების ტენდენცია.

ლიტ.: Гаспари А., История итальянской литературы, т. 1—2, М., 1895—97; Голенищев-Кутузов И. Н., Романские литературы, М., 1975; Де Санктис Ф., История итальянской литературы, пер. с итал., т. 1—2, М., 1963—64; Дживелегов А. К., Очерки итальянского Возрождения, т. 1—2, М., 1929; Кин Ц., Миф, реальность, литература, М., 1968; Овет А., Итальянская литература, М., 1922; Полухина И. К., История итальянской литературы XIX века, М., 1970; Потапова З. М., Неореализм в итальянской литературе, М., 1961.

მ. ტიტვინიძე.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ხელოვნ. უძველესი ძეგლები O-ის ტერიტორიაზე პალეოლითსა და ენეოლითს მიეკუთვნება (აპულიის კლდის მხატვრობა; ქალის ფიგურები ლიგურიასა და ემილიიდან). ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ.) მდიდრულ ორნამენტიან კერამიკასა და ლვთაებათა ბრინჯაოს ქანდაკებებში იგრძნობა კრეტა-მიკენის კულტურის გავლენა. ძვ. წ. IX—V სს. მიეკუთვნება ვილანოვის კულტურის დასახლებანი, ხოლო ძვ. წ. VIII—II სს. — *ეტრუსკების* კულტურის ძეგლები. ზღვის სანაპირო რ-ნებში (ძვ. წ. VIII—VI სს-ში) აღმოჩენებულ ბერძნ. სავაჭრო დასახლებათა ტერიტორიებზე (სირაკუსა, სელინუნტი, პოსეიდონია) შემორჩენილია ტაძრების ნაშთები და ქანდაკებების ნიმუშები. ძვ. ბერძნ., ეტრუსკული და სხვა ადგილ. კულტ. ტრადიციები საფუძვლად დაედო ძვ. წ. V ს-იდან ახ. წ. V ს-მდე O-ის ტერიტორიაზე შექმნილ ძვ. *რომის* ხელოვნებას.

ძვ. რომის დაცემისა და ქრისტიანობის განმტკიცების შემდეგ O-ში დაიწყო შუა საუკ. ხელოვნ. ჩამოყალიბების პროცესი. მასზე ზემოქმედება მოახდინა ბიზანტ. ხელოვნებამ და იმ მრავალმა ბარბაროსულმა ტომმა, რ-ებიც თავს ესხმოდნენ O-ს (გუთები, ლანგობარდები, ფრანკები და სხვ.). IV—VI სს-ში შენდება ბაზილიკები (სან-ჯოვანი ინ ლატერანო რომში) და ცენტრ.-გუმბათოვანი საკულტო შენობები (სან-ვიტალეს ეკლესია რავენაში). ტაძრის ინტერიერს ამკობდნენ მოზაიკით. VIII—X სს-ში დაწინაურდა ლომბარდიის არქიტექტურა. აქ ჩამოყალიბდა ცალკე მდგარი კოშკურა სამრეკლოს ტიპი (ე. წ. კამპანილე; სანტ-ამბროჯოს ეკლესიის სამხრ. კოშკი მილანში, IX ს.). VIII—X სს. ქანდაკებას ეტყობა ბარბაროსული ხელოვნ. გავლენა. XI—XIII სს-ში O-ტერიტორიაზე იქმნება საერთო ევრ. რომანული ხელოვნება. ცალკეულ სამთავრო-ებში იგი განსხვავებული სახისაა. ჩრდ. ნაწილში O-ში აგებენ სამნავიან ბაზილიკებს, ხშირად *ატრიუმით* (სანტ-ამბროჯო მილანში, XI—XII სს.). ტოსკანაში გავრცელდა ე. წ. *ინკრუსტაციული სტილის* ნაგებობათა ტიპი (სან-მინიატო ალ მონტეს ეკლესია ფლორენციაში, დაიწყო 1014, პროპორციებსა ჰარმონიულობითა და მოდენილი დეკორით გამოირჩევა პიზის სატაძრო კომპლექსი (ბაპტისტერიუმი, დაიწყო 1153; ტაძარი, 1063—1160; კამპანილე 1174—1372). სიცილიის ნაგებობებში ირეკლავს ბიზანტ., არაბ. და ნორმანდიელთა ხუროთმოძღვრების გავლენა, ხოლო ვენეციის სან-მარკოს ტაძარი (IX ს., გადაკეთებულია XI—XV სს-ში) ბიზანტ. ჯვარ-ვან-გუმბათოვან ნაგებობათა თავისებური ვარიანტს წარმოადგენს.

XI—XIII სს-ში ძირითადად ჩამოყალიბდა იტალ. ქ-ების ტიპი. დასახლება მჭიდროა და ძირითადად ცენტრ. ბოეფნის ირგვლივ არის შეჯგუფებული. აშენებენ ეკლესიებს, საჯარო პუბლიკოებს (საქალაქო სახლებს), ტაძრებს კამპანილეებით. რომანულ პერიოდში ქანდაკება განსაკუთრებით განვითარდა ემილიასა და ლომბარდიაში [ბ. ფენის ტაძრის რელიეფი (დაახლ. 1100, ოსტატი ვილიჯელმო); პარმის ტაძარი (1178) და ბაპტისტერიუმის (XII ს. დასრ.—XIII ს. დასაწყ.)რელიეფები, ოსტატი ანტელამი]. XII—XIII სს. რომში აღსანიშნავია მარმარილოს დამუშავების ოსტატების კოსმატეების ნამუშევრები (სვეტების, ინკრუსტაციების, საკურთხევლების მორთულობა ტაძრებში). XI—XII სს-ში შექმნილ ფრესკებ, ფერწერასა და მოზაიკებში ჯერ კიდევ ინახავენ ბიზანტ. კომპოზ. სქემებს, მაგრ. სახეთა გადმოცემა უფრო გულუბრყვილო, თხრობითი ხასიათისაა (ფრესკები სან-კლემენტეს ქვემო ეკლესიაში რომში, ... ახლ. 1100 და სან-მარკოს ტაძარში ვენეციაში, XII—XIV სს.). XIII ს. იტალ. ხელოვნ. წვრაში (იხ. *დუჩენტო*) ბიზანტ. ხატწერის კანონების საპირისპიროდ იგრძნობა გასახულების ცოცხლად, ადამიანურად გადმოცემისაკენ მისწრაფება (ჩიმაბუეს საკურთხევლის სახეები). XIII ს. შუა წლებიდან O-ის ხელოვნებაში, პირველ რიგში, ტაძრებში, ჩაისახა *პროტორენესანსი*. ქანდაკებაში მისი მამამთავრები იყვნენ ნიკოლა *პიზანო* (პიზის ბაპტისტერიუმის რელიეფები, 1260) და მისი მიმდევრები არნოლფო დი კამბიო და ჯოვანი *პიზანო*. ფერწერაში პროტორენესანსის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ რომაელი პ. კავალინი და იტალ. ხელოვნ. უდიდესი რეფორმატორი ფლორენციელი *ჯოტტო*.

O-ის არქიტექტურაში XIII ს. დასასრულ—XIV ს. დასაწყისში გავრცელდა გოთიკური სტილი, რ-იც არქიტ. სისტემად არ ... ცა. იყენებდნენ მხოლოდ *გოთიკის* ცალკეულ დეკორ. მოტივებს (ტაძრები სიენაში 1284—1376, და ორვიეტოში, 1290—156... შენობებს გარედან ამკობდნენ აჟურული გალერეებით, ფასადები შემოსილი ...

ლიქრომული მარმარილოთი (სასახლე-
ვენეციაში).
XV–XVI სს-ში Ი-ის ტერიტორიაზე
ალღეს მწვერვალს აღწევს *რენესანსი*
ხელოვნება, რ-იც ევრ. კულტურის
ვითარების გარდატეხის ეტაპად იქ-
ხელოვნ. ერთიანი სისტემის შექმ-
ში უდიდესი როლი ითამაშა ანტ. ხე-
ოვნ. ტრადიციების ახლებურად ჭააზრე-
ლ. ადრინდ. რენესანსის (XV ს.) არქიტექ-
რაში ანტ. ორდერული სისტემა შენობის
ტმული და სტრუქტურული ორგანიზა-
ის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად იქ-
(პალაცოები და პატრიციატის ქალაქ-
ეთა ვილები ბაღებითა და პარკებით;
ბრუნელესკის, მიკელოცოს, ლ. ბ. *ალ-
ტის*, ბ. როსელინოსა და სხვათა ბაზი-
კური ეკლესიები და ცენტრული კაპე-
ბი ფლორენციაში, რიმინიში, რომსა
ურბინოში). XV ს. მიეკუთვნება რენე-
სის ხანის ქალაქმშენებლობის პირ-
ული ცდები (ქ. პიენცის ანსამბლი, შენ-
ბოდა 1459-იდან, არქიტ. ბ. როსელინოს
	ა). ადრინდ. რენესანსის ხანაში მოღ-
ენობდნენ მოქანდაკეები ლ. *გიბერტი, დ-
ნატელო, იაკოპო დელა კვერჩა*, ანდ-
ა დელ *ვეროკიო*. ამ პერიოდში იქმნება
უკეულ პიროვნებათა, აგრეთვე ცხენზე
ედრებულ მეომართა და სხვ. მონუმ.
დაკებები, სკულპტურული ბიუსტები,
ტრეტები. ჩამოყალიბდა საფლავის ძე-
ების ორდერული ტიპი. ფერწერაში
ება ერთმანეთისაგან განსხვავებული
ვალი სამხატვრო სკოლა (ფლორენცი-
ვენეციის, უმბრიისა და სხვ.), რ-თა
ამომადგენლები არიან *მაზაჩო*, ანდრეა
ე კასტანიო, ა. მანტენია, *ანტონელლო*
მესინა, პ. უჩელო, ბ. გოცოლი, ფ.
ელიკო, ფ. ლიპი, სანდრო *ბოტიჩელი*
სხვ. XV ს. Ი-ის ფერმწერები სახარების
ზე შექმნილ სიუჟეტებს ამდიდრებენ
ალური ცხოვრების ყოფითი დეტალე-
ა და სცენებით (გირლანდაიო, ჯ. ბე-
ნი). რენესანსის ეპოქაში განვითარდა
ეთვე გრავიურა, სამედალიონო, თეატრ.
ორ. ხელოვნება, დეკორ.-გამოყენები-
ხელოვნება. XV ს. დასასრ.–XVI ს. I
თხედი Ი-ის არქიტექტურაში ახ. სრულ-
ილ ფორმათა ძიების პერიოდია. ამ
ებში შექმნილი ცენტრ.-გუმბათოვანი
სხვა ნაგებობანი ხასიათდება დიდე-
ი და ნათელი პროპორციებით, არ-
. დეტალების პლასტიკურობით (არ-
. *ბრამანტეს, რაფაელის*, ანტონიო და
ალო უფრასის და სხვ. სასახლეები და
ესიები ფლორენციაში, რომში, ვენე-
ა და სხვ. ქ-ებში). ამ ხანებში მოღვა-
ბდა *მიქელანჯელო*. მაღალი რენესან-
ეპოქაში სახვით ხელოვნებაში იქმნე-
ა რაფაელის, *ჯორჯონეს, ტიციანის,*
ინარდო და ვინჩის დიდებული ნამუ-
ნები. XV ს. I მესამედიდან თავი იჩინა
ერიზმმა (ფერმწერები პონტორმო,
ოჯანინო, მოქანდაკე ბ. ჩელინი, ჯამ-
ონია და სხვ.).
ვიანდ. რენესანსის პერიოდის (XVI ს.
ნახ.) ჰუმანისტური იდეალები აისა-
რქიტ. ა. *პალადიოს* კლასიკურ ნაგე-
ებში; მანიერისტული ტენდენციები
არქიტ. ჯულიო რომანოს, ჯ. *ვაზარი*-
და სხვ. ნამუშევრებში. ამავე ხანებში
ვაწეობდნენ არქიტექტორები (გ. *ალე-*
ჯაკომო და *ვინიოლა*), რ-თა ნაგებო-
დას. და ცენტრ. ევრ. ბაროკული ეკ-
ეების წინამორბედებად იქცა.
VI–XVII სს. მიჯნაზე Ი-ის ხელოვნე-
იქმნება *ბაროკოს* სტილი, რ-მაც აყვა-
ს მიაღწია XVII ს. II ნახევარში.
ბ. ბაროკოს არქიტექტურა ხასიათდება
ბობათა გრანდიოზული მასშტაბებით
ბერნინის, ფ. *ბორომინის*, კ. *მადერ-*
ბ. ლონგენას ეკლესიები რომში, ვენე-
ი, ტურინში). საერო ხუროთმოძღვრე-
-იქმნება არისტოკრ. სასახლის ტიპი
ბერნინისა და კ. მადერნას ნაგებობანი
ში, გ. *გვარინისა* და ფ. *იუვარასი* ტუ-
რინში). ბაროკულმა პრინციპებმა ზეგავ-
ლენა მოახდინა აგრეთვე ქალაქთმშენებ-
ლობაზე. ანსამბლებთან ორგანულადაა
დაკავშირებული მონუმ. ქანდაკება (შად-
რევნები, ობელისკები). XVIII ს. შუა ხა-
ნებში Ი-ის არქიტექტურაში თავი იჩინა
კლასიციზმის ნიშნებმა (ლ. ვანვიტელი,
ჯ. პიერმარინი და სხვ.). XVI ს. დასასრ.
ჩასახულ აკადემიზმს (ძმები *კარაჩები*)
XVII ს. დასაწყისში უპირისპირდება *კარა-*
ვაჯოს შემოქმედება (იხ. *კარავაჯიზმი*).
ბაროკოს ქანდაკების აყვავება დაკავშირე-
ბულია ლ. ბერნინის შემოქმედებასთან.
ბაროკოს ხანის უდიდესი ფერმწერები იყვ-
ნენ: პიეტრო და კორტონა, ა. პოცო, ლ.
ჯორდანო. XVII–XVIII სს-ში ბაროკოს
ფერწერაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-
რავს ყოფით ფერწერას (ფერმწერები დ.
ფეტი, ბ. სტროცი, ჯ. კრესპი). ვითარდე-
ბა პეიზაჟური ფერწერა (ს. როზა, ა. მა-
ნიასკო). XVIII ს-ში განსაკუთრებული
ადგილი უჭირავს ვენეციის ფერწერას
(ჯ. ბ. პიაცეტა, ჯ. ბ. *ტიეპოლო*, პ. ლონ-
გი). ფ. გვარდის პეიზაჟები საფუძვლად
დაედო XIX ს. პლენერულ ფერწერას.
XIX ს. დასაწყისში Ი-ის ხელოვნებაში
მკვიდრდება კლასიციზმის *პრინციპები*.
მილანში, ტურინში, რომსა და სხვ. ქ-ებში
ქუჩები და მოედნები რეკონსტრუირებულ
იქნა კლასიციზტურ ხასიათში (პიაცა დელ
პოპოლო რომში). Ი-ის გაერთიანების შემ-
დეგ ფართოვდება საქალაქთმშენებლო
სამუშაოები რომში. XIX ს. დასაწყისში
სახვით ხელოვნ. მთავარ მიმართულებად
იქცა კლასიციზმი, რ-იც აკად. ხასიათს
ატარებდა. 1860-იან წლებში ტოსკანაში
საფუძველი ეყრება რეალისტურ მიმართუ-
ლებას ფერწერაში (ტ. სინიორინი, ჯ. ფა-
ტორი). ფერმწერ ჯ. დე ნიტისისა და მო-
ქანდაკე მ. როსოს შემოქმედებაში ჩანს
იმპრესიონიზმის ნიშნები. XIX ს. დასასრ.
თავი იჩინა *ვერიზმის* მიმართულებამ
(მოქანდაკე ვ. ველა), 1890-იან წლებში—
დივიზიონიზმმა (ფერმწერი ჯ. *სეგანტი-*
ნი). XX ს. არქიტექტურაში შეაღწია „მო-
დერნის" სტილმა (არქიტ. ე. ბაზილესა და
რ. დ'არონკოს ნაგებობანი). 20–30-იან
წლებში ჩამოყალიბდა „რაციონალური
არქიტექტურის" მიმართულება (არქიტ.
ჯ. მიკელუჩი, ჯ. ტერანი). ფაშიზმის და-
ცემის შემდეგ, განსაკუთრებით 50–60-იანი
წწ., იწყება Ი-ის არქიტ. აღმავლობა.
იქმნება Ი-ის არქიტ. საუკეთესო ნიმუშები:
ტერმინის ვაგზალი (1950, არქიტექტორთა
ჯგუფი ე. მონტუორის ხელმძღვანელობით),
სპორტის მცირე სასახლე, ე. წ. პალაციტტო
(1957, არქიტ. პ. ლ. *ნერვი*, ა. ვიტელოცი)
—ორივე რომში, პირელის ფირმის შენობა
მილანში (1956–60, არქიტ. ჯ. პონტი, ინჟ.
პ. ლ. ნერვი თანაავტორებთან ერთად).
მოღვაწეობს არქიტექტორთა ჯგუფი *BBPR*.
ქ-ების განაშენიანება ხდება ძვ. უბ-
ნების ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავი-
სებურებათა გათვალისწინებით. ახ. სა-
ცხოვრ. სახლების საუკეთესო ნიმუშებში
იყენებენ ეროვნ. არქიტ. ტრად. ელემენ-
ტებს (შიგა ეზოები, ლოჯიები, ღია კიბე-
ები). ფართოდაა გავრცელებული კერძო
ვილების მშენებლობა, იყენებენ *ორგანული*
არქიტექტურის პრინციპებს.

XX ს. დასაწყისში სახვით ხელოვნ. პა-
რიზის სკოლის მიმდევარი იტალ. ფერმწე-
რები (ა. *მოდილიანი* და სხვ.) ქმნიან სი-
ბრტყეებრივ პორტრეტებს. 1910-იან წლე-
ბში Ი-ში ჩამოყალიბდა *ფუტურიზმი* (ფერ-
მწერი და მოქანდაკე უ. ბოჩონი, ფერმწერი
კ. კარა). 1910-იანი წწ. დასასრ. თავი
იჩინა ნეოკლასიცისტურმა ტენდენციებმა
(ჯ. მორანდი, ფ. კაზორატი, ჯ. დე კირი-
კო). ზოგმა მხატვარმა მიმართა ეტრუს-
კული და ბერძნ. არქაიკის ტრადიციებს
(მ. კამპილის ფერწერა, მ. მარინის ქან-
დაკება). ფაშიზმის იდეოლოგია აისახა
„ნოვეჩენტოს" ჯგუფის მხატვართა შემოქ-
მედებაში (მ. სირონი და სხვ.). 20-იან
წწ. დასასრ. — 30-იანი წწ. დასაწყისში
ხელოვნებაში ოფიც. ფაშისტურ მიმართუ-
ლებას დაუპირისპირდა მხატვართა ცალ-
კეული დაჯგუფებანი („რომაული სკოლა",
„კორენტე" და სხვ.), რ-ებიც მოუწოდებ-
დნენ „შემოქმედების თავისუფლებისაკენ"
(ფერმწერები შიპიონე, რ. *გუტუზო*). II
მსოფლიო ომის დროს შეიქმნა და 40-იან
წწ. დასასრ. აყვავდა პროგრ. რეალისტუ-
რი მიმართულება (რ. გუტუზოს, გ. მუკის,
კ. ლევისა და სხვ. ფერწერა და გრაფიკა).

რეალისტური ტენდენციები ქანდაკებაში
გადმოცემულია ჯ. მანცუსა და ე. გრეკოს
შემოქმედებაში. Ი-ის ხელოვნებაში რეა-
ლიზმი ვითარდება მრავალ თანამედროვე
მოდერნისტულ მიმართულებასთან (*აბს-*
ტრაქტული ხელოვნება: ფერმწერები
რ. ბირელი, ე. მორლოტი, მოქანდაკეები
ა. ვიანი, პ. კონსაგრა) ბრძოლაში.

ლიტ.: Алпатов М. В., Итальянское искусство эпохи Данте и Джотто, М.—Л., 1939; Виппер Б. Р., Борьба течений в итальянском искусстве XVI века (1520—1590), М., 1956; Мезиэ, Проблема реализма в итальянской живописи XVII—XVIII веков, М., 1966; Всеобщая история архитектуры, т. 4—5, М., 1966—67; т. 7, М., 1969; Всеобщая история искусств, т. 2, кн. 1; т. 3—6, кн. 1, М., 1960—65; Горяинов В. В., Современное искусство Италии, М., 1967; Кацнельсон Р. А., Новейшая архитектура Италии, М., 1963; Лазарев В. Н., Происхождение итальянского Возрождения, т. 1—2, М., 1956—59.



იტალია. გ. გვარინი. სან-ლორენცოს ეკლესიის გუმბათი. ტურინი. 1668—87.

იტალია. უ. ლუჩიანტ ი. სახლი ოჭროს მედლების მოედანზე. რომი. 1953.

XIV. მუსიკა

Ი-ის მუს. კულტურამ არსებითი როლი ითამაშა მსოფლიო მუს. ხელოვნ. განვითარებაში. იტალ. ხალხ. მუსიკისათვის დამახასიათებელია მღერადი მელოდია, ცოცხალი რიტმი. იტალ. ხალხ. სიმღერები ასაზრდოებდა საოპერო და საბალეტო მუსიკას, იჭრებოდა რელიგ. მესებში. მას იყენებდნენ სხვა ქვეყნების კომპოზიტორებიც. იტალ. მუსიკის განვითარებაზე გავლენა იქონია ძვ. რომის მუს. ხელოვნებამ. VI–VII სს-ში ჩამოყალიბდა *გრიგორიანული ქორალი*, რ-იც საფუძვლად დაედო დას. ევრ. საკულტო მუსიკას. X ს-ში Ი-ის მუს. კულტურის ცენტრად იქცა ტოსკანა. აქ მოღვაწეობდა მუსიკის თეორეტიკოსი, სანოტო დამწერლობის რეფორმატორი გვიდო დ'არეცო. XIV ს-ში ფლორენციაში ჩამოყალიბდა რენესანსის ხანის მუს. ხელოვნ. და თეორიის პროგრ. მიმართულება—*„არს ნოვა"*. ამ პერიოდის მუსიკოსთაგან გამოირჩეოდნენ ფლორენციელი კომპოზიტორი და ორგანისტი ფ. ლანდინო, მუსიკის თეორეტიკოსი მარკეტო პადუანელი. XIII–XIV სს-ში გავრცელდა სას. ხასიათის ერთხმიანი და მრავალხმიანი სახოტბო საგალობლები — ლაუდები. რენესანსის ეპოქაში ვითარდება საერო ხელოვნება, მუს.-თეორ. აზრი (ჯ. ცარლინო), ჩნდება მუს.-საზ. ცხოვრების ახ. ფორმები — მუს. აკადემიები (1470 ფლორენციაში; 1566 რომში; 1666 ბოლონიაში) და კონსერვატორიები. ნოტების ბეჭდვის ახ. მეთოდი შეიმუშავა ო. პეტრუჩიმ (პატენტი 1498). განვითარდა საერო ვოკალური ჟანრები.

იტალია. ფ. ბრუნელესკი. პაციის კაპელა. სანტა-კროჩეს ეკლესია. ფლორენცია. დაიწყო 1429. ინტერიერი.

XVI—XVII სს-ში საერო მუსიკაში ცენტრ. ადგილს იკავებს ჯერ კიდევ ადრე, რენესანსის ეპოქაში გავრცელებული *მადრიგალი*. ახ. ტიპის მადრიგალები შექმნეს ა. ვილარტმა, ლ. მარენციომ, კ. ჯეზუალდო დი ვენოზამ, კ. მონტევერდიმ. XVI ს-ში ყალიბდება პოლიფონიური მუსიკის უდიდესი სკოლები რომსა და ვენეციაში. რომის სკოლას მეთაურობდა პალესტრინა, რ-მაც შექმნა კათოლ. საგუნდო მრავალხმიანობის კლასიკური ფორმა, ე. წ. ა *კაპელა*. ვენეციური სკოლის მამამთავარმა ა. ვილარტმა, ა. და ჯ. გაბრიელებმა შექმნეს ვოკალური საკრავიერი მრავალხმიანობის მონუმ.-დეკორ. სტილი. XVI—XVII სს. მიჯნაზე აღმოცენდა ვოკალურ საკრავიერი მუსიკის ახ. სახეობანი — *ოპერა, ორატორია, კანტატა, კანცონა*. 1597 ფლორენციაში დაიდგა პირველი ოპერა „დაფნე" (ი. პერი, ო. რინუჩინის ტექსტზე). XVII ს-ში ოპერა გავრცელდა მთელს ი-ში. 1637 გაიხსნა სახალხო ფასიანი საოპერო თეატრები ვენეციაში. საოპერო სკოლის ფუძემდებელი იყო ოპერის კლასიკოსი კ. მონტევერდი. XVII—XVIII სს-ში საოპერო ხელოვნ. ცენტრმა ნეაპოლში გადაინაცვლა. ნეაპოლური საოპერო სკოლის ფუძემდებელია ა. სკარლატი. გაბატონებული იყო *ოპერა-სერია*. თვალსაჩინო ლიბრეტისტები იყვნენ ა. ძენო და პ. მეტასტაზიო. ამ ოპერებში უმაღლეს განვითარებას მიაღწია სოლო სიმღერამ — *ბელკანტომ*. XVIII ს-ში ყალიბდება ოპერის რეალისტურ-დემოკრ. ჟანრი *ოპერა-ბუფა*. პირველი ნიმუშია პერგოლეზის ოპერა-ბუფა „მოახლე-ქალბატონი" (1733). ოპერა-ბუფის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს კომპოზიტორებმა: ნ. პიჩინმ, ჯ. პაიზიელომ, დ. ჩიმაროზამ, ბ. გალუპიმ, დრამატურგმა კ. გოლდონიმ (მრავალი ლიბრეტოს ავტორია). XVIII ს-ში გაიხსნა ახ. საოპერო თეატრები: „სან-კარლო" (ნეაპოლი, 1737), „ლა სკალა" (მილანი, 1778), „ფენიჩე" (ვენეცია, 1792) და სხვ. XVII ს. ი-ში მაღალ განვითარებას მიაღწია საორგანო ხელოვნებამ (ჯ. ფრესკობალდი), განვითარდა აგრეთვე კამერული ჟანრები (ს. როსი), სავიოლინო და საანსამბლო-საორკესტრო მუსიკა (ა. კორელი), შეიქმნა ე. წ. *კონჩერტო გროსოს* ჟანრი. საკრავიერი მუსიკის განვითარებას ხელი შეუწყო საუკეთესო მუს. საკრავების გამოჩენამ (ხემიან საკრავთა ოსტატები — *ამატები, გვარნერები, ა. სტრადივარიუსი*). 1709—11 ბ. ქრისტოფორიმ შექმნა პირველი ფორტეპიანო. XVII ს-ში საკრავიერი მუსიკის ახ. აღმავლობა დაკავშირებულია ა. ვივალდის (სავიოლინო კონცერტები), დ. სკარლატის (საკლავესინო სონატები), ლ. ბოკერინის (კვარტეტები, კვინტეტები), ჯ. სამარტინის (სიმფ. ადრინდ. ნიმუშები), აგრეთვე ვირტუოზ-შემსრულებლებისა და სავიოლინო მუსიკის ავტორების (ჯ. ტარტინის, ფ. ვერაჩინის, პ. ლოკატელის და სხვ.) სახელებთან. XVIII—XIX სს. მიჯნაზე აღსანიშნავია კომპოზიტორისა და მევიოლინის, მუს. რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ნ. პაგანინისა და კლასიკური საფორტეპიანო სონატის ერთ-ერთი შემქმნელის, ლონდონის საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებლის მ. კლემენტის მოღვაწეობა. XIX ს-ში ი-ის საოპერო ხელოვნებამ თავის მწვერვალს მიაღწია ჯ. როსინის, ვ. ბელინის, გ. დონიცეტის და განსაკუთრებით ჯ. ვერდის შემოქმედებაში. XIX ს. ბოლოს იტალ. ოპერაში შეიქმნა ახ. მიმართულება — *ვერიზმი*, რ-ის უმთავრესი წარმომადგენლები იყვნენ პ. მასკანი, რ. ლეონკავალო, ჯ. პუჩინი და სხვ.

XX ს. მნიშვნელოვანი კომპოზიტორები არიან ო. რესპიგი, ი. პიცეტი, ჯ. მალიპიერო, ა. კაპელა. II მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა *ავანგარდიზმი*. მისი წარმომადგენლები არიან: ლ. დალაპიკოლა, ლ. ნონო. მსოფლიო მუს. კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს პიანისტმა ფ. ბუზონიმ და დირიჟორმა ა. ტოსკანინიმ. XX ს. ცნობილი მომღერლები არიან: ე. კარუზო, ტიტა რუფო, ტ. სკიპა, ბ. ჯილი, ჯ. ანსელმი, ჯ. დე ლუკა, ა. პერტილე, ე. პინცა, ტ. გობი, ჯ. ბეკი, მ. დელ მონაკო, ა. გალი-კურჩი, ტ. დალმონტე, რ. ტებალდი, რ. სკოტო, ჯ. სიმიონატო და სხვ.; დირიჟორები — ტ. სერაფინი, ვ. დე საბატა, ფ. პრევიტალი, ვ. ფერერო, კ. ციკი, პ. არჯენტო; პიანისტი ა. ბენედეტი მიქელანჯელი, მევიოლინე ჯ. დე ვიტო, ჩელოზე დამკვრელი ე. მაინარდი. ყოველწლიურად იმართება მუს. ფესტივალები ვენეციაში, ფლორენციაში, სპოლეტოში, ვერონასა და სხვ. ძველთაგან გაითქვა სახელი ბოლონიისა და რომის („სანტა-ჩეწილია") მუს. აკადემიებმა, კონსერვატორიებმა, მუს. ლიცეუმებმა, სიმფ. ორკესტრებმა, სასწ. ინ-ტებმა და სხვ.; მუს. საზ-ბებიდან აღსანიშნავია: ახალი მუსიკის კორპორაცია (1923-იდან), მუსიკათმცოდნეობის საზ-ბა, მუს. ბ-კების ასოციაცია და სხვ.

ლიტ.: Друскин М. С., История зарубежной музыки, 3 изд., в. 4, М., 1967; Левик Б., История зарубежной музыки, в. 2, М., 1961; Ливанова Т. Н., История западноевропейской музыки до 1789 года, М.—Л., 1940; Мартынов И. И., История зарубежной музыки первой половины XX века, М., 1963.

XV. ბალეტი

მდიდარმა ხალხ. საცეკვაო კულტურამ და ანტ. და შუა საუკ. ხელოვნ. ტრადიციებმა განაპირობა ევრ. ბალეტის ი-ში ჩასახვა.

იტალ. სცენურმა ცეკვამ განვლო განვითარების გზა სამეჯლისო ცეკვიდან (XIV ს.) ალეგორიულ და მითოლ. პანტომიმამდე (XV—XVI სს.). ცეკვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს *კომედია დელ'არტეში*. XVI ს. დასასრ. იტალ. ოსტატების (ბალეტმაისტერი ბ. ბალთაზარინი და სხვ.) მოღვაწეობამ ხელი შეუწყო საფრანგეთში ბალეტის, როგორც თეატრ. ჟანრის ჩამოყალიბებას. XVII ს. II ნახევარში ბალეტი დამკვიდრდა ი-შიც, სასახლის კარის სპექტაკლებში. XVIII ს-ში ბალეტები იდგმებოდა ი-ის თითქმის ყველა მუს. თეატრში. წამყვანი იტალ. ბალეტმაისტერები და მოცეკვავეები (გ. ანჯოლინი, ვ. გალეოტი და სხვ.) მუშაობდნენ საფრანგეთში, დანიაში, რუსეთსა და სხვ. ქვეყნებში. ბალეტის განვითარების ახ. ეტაპი ი-ის განმათ. მოძრაობასთან არის დაკავშირებული (XVIII ს. დასასრ.). ამ სიახლემ გამოხატულება პოვა ბალეტმაისტერ ს. ვიგანოს შემოქმედებაში (იგი დგამდა ჰეროიკულ ქორეოდრამებს — ბეთჰოვენის „პრომეთეს გმირობანი", 1801, 1813, „ოტელო", ნაკრებ მუსიკაზე, 1818) და გ. ჯოის დადგმებში. 1813 თეატრ „ლა სკალასთან" შეიქმნა საბალეტო სკოლა. 1880-იან წლებში წარმატებით იდგმებოდა ბალეტმაისტერ ლ. მანცოტის ფეერიები. იტალ. საბალეტო სკოლამ გამოიმუშავა შესრულების განსაკუთრებული, ვირტუოზული სტილი, რ-იც XIX ს. დასასრ. გაიზიარა სხვა ქვეყნების საცეკვაო სკოლებმა. იტალ. ბალეტის მსახიობები ე. ჩეკეტი, კ. ბრიანცა, პ. ლენიანი, ვ. ცუკი გამოდიოდნენ რუს. სცენაზეც. 1940-იან წლებში აქტიურად მუშაობს „ლა სკალას" საბალეტო დასი, რ-ის რეპერტუარში შევიდა პ. ჩაიკოვსკის, ს. პროკოფიევის ბალეტები, ჯ. ბალანჩინის, ჯ. კრანკოსა და სხვათა დადგმები. რომის, ფლორენციის, ნეაპოლის, ვენეციის, პალერმოს საბალეტო დასები პერიოდულად დგამდნენ საბალეტო სპექტაკლებს, მ. შ. ჯ. ბალანჩინის, ლ. ფ. მიასინის, ბ. ნიჟინსკაიას დადგმებს, ა. მილოშის ახ. ნამუშევრებს. 60-იანი წწ. დასასრ. ნეაპოლში თეატრმა „სან-კარლომ" დადგა რ. შტრაუსის მუსიკაზე შექმნილი ფაშიზმის მამ[illegible] ლებელი სპექტაკლი „მაკბეთები". 1930 60 წწ. გამოჩენილი მსახიობები და ბალე[illegible] მაისტერები იყვნენ: ა. რადიჩე ო. ამა[illegible] ვ. კოლომბო, მ. პისტონი, უ. დელ არ[illegible] 70-იანი წწ. დასაწყისში სახელი გაითქ[illegible] მოცეკვავეებმა ა. არანიომ, ე. ტერაბუს[illegible] მა, ლ. კოზიმ. საბალეტო სპექტაკლები [illegible] ბულარულად იდგმება საერთაშ. ფესტი[illegible] ლისათვის „ფლორენციის მუსიკალური [illegible] ისი" (1933-იდან) და სპოლეტოს ფეს[illegible] ვალისათვის (1958-იდან).

ლიტ.: Классики хореографии, Л.— [illegible] 1937; Худеков С. Н., История т[illegible] цев, т. 1—4, СПб., 1913—17.

XVI. დრამატული თეატრი

იტალ. თეატრს სათავე აქვს უძველ[illegible] ხალხ. სანახაობებში. კათოლ. ეკლე[illegible] დევნიდა წარმართულ სანახაობებს და [illegible] VI სს. ი-ში მოსპო ანტ. თეატრის ნაშთ[illegible] IX—X სს-ში *მიმების* გამოსვლებში, [illegible] რეთვე საყველიერო საკარნავალო თ[illegible] შებში (XIII—XV სს-ში ვენეციური [illegible] ნავალები) შეინიშნებოდა პროფ. თეა[illegible] ხელოვნ. ელემენტები. ებრძოდა რა ხა[illegible] თეატრს, ეკლესია თვითონ[illegible] ეყენ[illegible] თეატრ. საშუალებებს რელ<გ. შინა[illegible] სის სანახაობათა მოსაწყობად (*ლიტ[illegible] გიული დრამა, მისტერია*). XIV ს-ში [illegible] ლიგ. წარმოდგენების პოპულ. სახეო[illegible] ლაუდები (წარმოდგენები სახარების [illegible] ჟეტებზე). XV ს. რელიგ. წარმოდგენ[illegible] ძირითადი სახეობა იყო მისტერია. [illegible] დეგში რელიგ. შინაარსი შეცვალა მი[illegible] ლოგიურმა, რ-ის შედეგად ეს ჟანრი ა[illegible] ბითად საერო ხასიათისა გახდა („თ[illegible] ლება ორფეკსზე", ა. პოლიციანო, 14[illegible]

რენესანსის ეპოქაში ი-ში ვითარდ[illegible] ახ. თეატრ. კულტურა. XV—XVI სს. [illegible] ნაზე ჩაისახა ე. წ. სწავლულთა კომ[illegible] (ლ. არიოსტო, ნ. მაკიაველი, პ. არ[illegible] ნო, ჯ. ბრუნო). ტრაგედიის ჟანრს სა[illegible] ველი ჩაუყარეს ჯ. ტრისინომ, ჯ. რ[illegible] ლაიმ. XVI ს-ში იტალ. თეატრის და[illegible] სიათებელი ჟანრია „საშინელებათა [illegible] გედია" (ჯ. ჯირალდი ჩინტიო, ს. სპ[illegible] ნი და სხვ.), რ-იც წაგავს *სენეკას* ნა[illegible] მოებებს. სასახლის კარის თეატრების [illegible] პერტუარში დიდი ადგილი ეთმობა [illegible] ლიზებულ პასტორალს (ტ. ტასო, ბ. [illegible] რინი). XVI ს. I ნახევარში ნახევრად პრ[illegible] თეატრების განვითარება დაკავშირებუ[illegible] დრამატურგისა და მსახიობის ა. ბეოლ[illegible] სახელთან.

რენესანსის ეპოქის ყველაზე მნიშ[illegible] ლოვან მოვლენას წარმოადგენს XVI [illegible] ხალხ. თეატრის გავლენით აღმოცენ[illegible] ლი *კომედია დელ'არტე* (ნიღბების [illegible] მედია), რ-მაც დიდი გავლენა მოახ[illegible] ევრ. თეატრ. ხელოვნ. განვითარებ[illegible] ანტ. ხელოვნ. გავლენით იტალ. ჰუმ[illegible] ტებმა შექმნეს დრამის თეორია (ჯ. [illegible] სინო, ლ. კასტელვეტრო), რ-მაც [illegible] მხრივ გავლენა იქონია XVI—XVII [illegible] ფრანგ. კლასიციზმის ესთეტიკის ჩა[illegible] ლიბებაზე.

ერთვნ. თეატრის განვითარების [illegible] ეტაპი დაიწყო დრამატურგ კ. *გოლდ*[illegible] მიერ განხორციელებული რეფორმის [illegible] დეგ. გოლდონიმ შექმნა ყოფითი კომ[illegible] უარყო კომედია დელ'არტეს ტრად. [illegible] ბები და იმპროვიზაცია. მისი მოწინ[illegible] დეგე იყო კ. *გოცი*, რ-იც ცდილობდა [illegible] რში აღედგინა კომედია დელ'არტეს [illegible] დიციები. გოციმ შექმნა თეატრ. ზღ[illegible] ბის ჟანრი — ფიაბი.

XVIII ს-ში იტალ. თეატრ. კულტ[illegible] ცენტრი იყო ვენეცია და რომი. საგანგ[illegible] აგებულ შენობებში მილანში, ნეაპო[illegible] ფლორენციასა და სხვ. ქ-ებში გამოდ[illegible] ნენ დრამ. დასები. პოპულარული იყო[illegible] ჯინების თეატრი, აკრობატებისა და [illegible] ბაზების გამოსვლები, საკარნავალო [illegible] მოდგენები.

XVIII ს. რევ. მოვლენებმა გაა[illegible]

ნტერესი ჰეროიკული ტრაგედიის ჟანრი-
ადმი (ვ. ალფიერი). ეროვნ.-განმთ. მოძ-
აობამ განაპირობა თეატრსა და დრამა-
ურგიაში რომანტ. მიმართულებების (ა.
ანძონი, ს. პელიკო და სხვ.) განმტკიცე-
ა. შეიქმნა წინაპირობა მსახიობის ხელოვნ.
ზ. იტალ. რომანტ. სკოლის განვითარე-
ისათვის. მისი ფუძემდებელია მსახიობი
. მოდენა. ამ სკოლის ბრწყინვალე წარ-
ომადგენლები იყვნენ დიდი ტრაგიკოსი
სახიობები ა. *რისტორი*, ე. *რესი*, ტ. *სალ-
ინი*. სცენური რეალიზმის დამკვიდრებაში
ანსაკუთრებული როლი შეასრულა ტ.
ალვინიმ. ამ პერიოდის ი-ის აქტიორულ-
ა ხელოვნებამ გავლენა იქონია ევრ.
ეატრ. კულტურაზე.

ი-ის გაერთიანების (1870) და კონსტ.
ონარქიის დამყარების შემდეგ რევ. შე-
ეგებით გულგატეხილ ხალხში სასოწარკ-
ეთილებამ დაისადგურა. ჰეროიკული ტრა-
ედიისადმი ინტერესი გაქრა, უპირატესად
ვამდნენ მელოდრამის ელემენტებით შე-
ერილ დრამებს (ა. დიუმა-შვილი, ვ. სარ-
ვ და სხვ.). იმ დროს ი-ში მუდმივი დრამ.
ეატრი არ არსებობდა. მძიმე მატერ. პი-
ობები აიძულებდა იტალ. თეატრის საუ-
ეთესო წარმომადგენლებს საგასტროლოდ
ამგზავრებულიყვნენ საზღვარგარეთ. ყო-
ელივე ეს აფერხებდა ეროვნ. თეატრის
ანვითარებას.

ვერიზმის განმტკიცებამ თეატრში ხელი
ეუწყო ნატურალისტური ტენდენციების
ანვითარებას. იტალ. ნატურალიზმის
ვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ე. ცა-
ონი. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ მსა-
იობები ე. ნოველი, ე. *დუზე* და სხვ.
XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყ. თეატრის
ამოჩენილი მოღვაწენი იყვნენ ე. და ი.
რამატიკები, კ. როსი და სხვ. 1900-იანი
წ. დასაწყისში თეატრ. კოლექტივების
ეპერტუარში დიდი ადგილი დაეთმო გ.
'ანუციოს დეკადენტურ დრამატურგიას,
ოგვიანებით კი ყოფით კომედიასა და ლ.
ირანდელოს ფილოს.-ფსიქოლ. დრამებს.

ფაშისტური დიქტატურის წლებში
1922—43) იტალ. თეატრი და დრამატურ-
ია ღრმა კრიზისს განიცდიდა. საყურადღე-
ოა მხოლოდ რომის თეატრების—„სამხატ-
რო თეატრის" (ხელმძღვ ლ. პირანდე-
ელო), „დამოუკიდებელთა თეატრისა" და
დელე არტის" (ხელმძღვ. ა. ბრაგალი)
უშაობა. კ. სტანისლავსკის თეატრ. ესთე-
იკამ გარკვეული როლი ითამაშა რომში
რამ. ხელოვნ. აკად. დაარსებაში (1935).
აშიზმის განადგურების შემდეგ შესაძ-
ებელი გახდა პროგრ. თეატრის განვითა-
ება. ამ პერიოდის თვალსაჩინო მოღვა-
ეა რეჟისორი ლ. ვისკონტი, რ-იც ქმნიდა
უმანიზმით გამსჭვალულ სპექტაკლებს.
ემოკრატიულობითა და ჰუმანურობით გა-
ორჩევა რეჟისორისა და მსახიობის ე. დე
ილიპოს სპექტაკლები. თანამედროვე
ტალ. თეატრის დამახასიათებელი ნიშა-
ია „სტაბილეს", ე. ი. სტაციონარული
ეატრების აღმოცენება (40-იანი წწ. II
ა ხევრიდან). მილანში ჯ. სტრელერისა
ა პ. გრასის ხელმძღვანელობით გაიხსნა
უდმივი თეატრი („პიკოლო-ტეატრო").
სეთივე თეატრები გაიხსნა რომში, ტუ-
ინში, ტრიესტში, პადუაში, ვენეციაში
ა სხვ. 50-იან წლებში შეიქმნა „იტალიუ-
ი ხელოვნების თეატრი" (1952—54) რეჟ.
ა დრამატურგის ლ. სკუარცინასა და გა-
ორჩენილი მსახიობის ვ. გასმანის ხელმძღ-
ანელობით. ი-ის კერძო თეატრ. კოლექტი-
ებიდან გამოირჩევა ჯ. დე ლულოს დასი.
-ის თეატრების რეპერტუარშია პროგრ.
ინაარსის პიესები, დრამები და სატირუ-
ი კომედიები. იტალ. და მსოფლიო კლა-
იკოსთა პარალელურად იდგმება იტალ.
რამატურგების — ლ. პირანდელოს, რ.
ივიანის და სხვ. პიესები, უცხოელ ავტორ-
ა ნაწარმოებები. თანამედროვე იტალ.
ეატრში პროგრესულთან ერთად არსე-
ობს რეაქციული ტენდენციებიც (დ. ფაბ-
ის კათოლ. პიესები). წმინდა ფორმალის-
ტური ხასიათისაა აბსურდის თეატრის ზე-
გავლენის ქვეშ მოქცეული ზოგიერთი რე-
ჟისორისა და მსახიობის შემოქმედებითი
ძიებები. 60-იანი წწ. ბოლოდან შეიქმნა
პროგრ. იდეების მატარებელი, ე. წ. პო-
ლიტ. თეატრები. გამოჩენილი იტალ. მსა-
ხიობები არიან ჯ. ალბერტაცი, მ. ბენასი,
ა. მ. გუარნიერი, ლ. ბრინიონე, პ. სტოპა
და სხვ. ი-ის თეატრ. ცხოვრებაში მნიშვ-
ნელოვანი ადგილი უჭირავს სირაკუზისა
და ოსტიის ანტ. თეატრების მოედნებზე
გამართულ სპექტაკლებს. 1962 მილანში
კ. ტერონის ხელმძღვანელობით შეიქმნა
კულტურის ცენტრი. გამოდის მრავალი
თეატრ. ჟურნალი.

ლიტ.: История западноевропейского театра, т. 1—6, М., 1956—74.

XVII. კინო

პირველი იტალ. ფილმი გადაიღეს 1896. 1905—06 ტურინში, რომსა და მილანში შეიქმნა პატარა კინოფირმები, რ-ებიც უშვებდნენ მხატვრულ ფილმებს. 1912—13 დაიწყო იტალ. კინოს აღმავლობა. წარმატებით გადიოდა ფსევდოისტ. და ლიტ. სიუჟეტებზე შექმნილი ფილმები. იღებდნენ აგრეთვე კომედიურ ფილმებსა და სალონურ მელოდრამებს. 1914—15 გამოვიდა რამდენიმე ფილმი, რ-თა ავტორები ცდილობდნენ დამაჯერებლად ეჩვენებინათ იტალ. ხალხის გაჭირვებული ცხოვრება („წყვდიადში დაკარგულები", რეჟ. ნ. მარტოლიო; „ასუნტა სპინა", რეჟ. გ. სერენა). ფაშისტური რეჟიმის დამყარებას (1922) მოჰყვა იტალ. კინოს კრიზისი. 30-იან წლებში ფაშისტური მთავრობა ცდილობდა გამოეყენებინა კინო როგორც პროპაგანდის საშუალება. ამ პერიოდში ძირითადად გამოდიოდა სალონური მელოდრამები. 40-იან წლებში გამოვიდა ფილმები „გასეირნება ღრუბლებში" (1942, რეჟ. ა. ბლაზეტი, საბჭ. ეკრანებზე „ოთხი ნაბიჯი ღრუბლებში"), „ბავშვები ჩვენ გვიყურებენ" (1943, რეჟ. ვ. დე სიკა). ამ ფილმებში ნაჩვენებია იტალ. საზ-ბის ნგრევა, ამ საზ-ბაში გამეფებული დაუნდობლობა და უსამართლობა. ი-ის ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ იტალ. კინოში გაჩნდა ახ. პროგრ. მიმართულება — ნეორეალიზმი. ამ მიმართულების წარმოქმნას ნაწილობრივ ხელი შეუწყო ვ. პუდოვკინისა და ს. ეიზენშტეინის თეორ. ნაშუშევრებმა და 20—30-იან წწ. საბჭ. ფილმებმა. ამ მიმართულების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან რეჟისორები: *რ. როსელინი*, *ლ. ვისკონტი*, *ვ. დე სიკა*, *ჯ. დე სანტისი*, *პ. ჯერმი*, *კ. ლიმანი*, *ლ. ძამპა*, *ა. ლატუადა*. ნეორეალიზმის მანიფესტად იქცა რ. როსელინის ფილმი „რომი — ღია ქალაქი" (1945). ამ ფილმში ასახულია იტალ. ხალხის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ. 1945—46 იტალ. კინოს მთავარი თემა იყო წინააღმდეგობის მოძრაობა. ნეორეალისტური ფილმებიდან აღსანიშნავია: „შუშა" (1946), „ველოსიპედების გამტაცებლები" (1948), „უმბერტო დ." (1951) — რეჟ. ვ. დე სიკა; „მიწის თრთოლვა" (1948) — რეჟ. ლ. ვისკონტი; „ტრაგიკული ნადირობა" (1947), „მწარე ბრინჯი" (1949), „არ არის მშვიდობა ზეთისხილის ხეების ქვეშ" (1950), „რომი, 11 საათზე" (1952) — რეჟ. ჯ. დე სანტისი; „კანონის სახელით" (1949, საბჭ. ეკრანებზე — „სიცილიის ცის ქვეშ"), „იმედის გზა" (1950) — რეჟ. პ. ჯერმი, „ნეაპოლი—მილიონერების ქალაქი" (1950) — რეჟ. ე. დე ფილიპო და სხვ. 50-იან წლებში დაიწყო ნეორეალიზმის კრიზისი. ამ პერიოდის მრავალ ფილმში გამოყენებულია ნეორეალიზმის მხოლოდ წმინდა გარეგნული ატრიბუტები. 50-იანი წწ. ბოლოსა და 60-იანი წწ. დასაწყისში ი-ის კინემატოგრაფისტები კვლავ დაუბრუნდნენ ანტიფაშისტურ და სოც. თემატიკას. ეს განაპირობა დემოკრ. მოძრაობის ზრდამ ქვეყანაში. დაიდგა ფილმები: „გენერალი დელა როვერე" (1959), „რომში იყო ღამე" (1960) — რეჟ. რ. როსელინი; „დიდი ომი" (1959) — რეჟ. მ. მონიჩელი; „ჩოჩარა" (1960), „ალტონელი ტყვეები" (1962) — რეჟ. ვ. დე სიკა და სხვ. ამ პერიოდის ფილმებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ტკბილი ცხოვრება" (1959), „რვა-ნახევარი" (1962) — *რეჟ. ფ. ფელინი*, „თავგადასავალი" (1959), „ღამე" (1960), „დაბნელება" (1962), „წითელი უდაბნო" (1964) — *რეჟ. მ. ანტონიონი*. ამ ფილმებში ასახულია თანამედროვე იტალ. ბურჟ. საზ-ბის მდგომარეობა. 70-იანი წწ. მიჯნაზე ი-ში ჩამოყალიბდა პროგრ. მიმართულება, რ-საც ეწოდა „ახალი" ან „მემარცხენე პოლიტიკური კინო". ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან რეჟისორები: ე. პეტრი („მუშათა კლასი მიდის სამოთხეში", 1971), ფ. *როზი* („ხალხი წინააღმდეგია", 1970, ჟა „მატეის საქმე", 1972), ჯ. მონტალდო („ღმერთი ჩვენთან არის", 1969, და „საკო და ვანცეტი", 1971), დ. დამიანი („პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორის წინაშე", 1970; 1971 მიიღო ერთ-ერთი მოავარი პრემია მოსკოვის VII საკავშ. კინოფესტივალზე) და სხვ. ომისშემდგომ პერიოდში ვითარდება პროგრ. დოკუმენტური კინო. 1970—71 შეიქმნა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები („კონტრაქტი" და „აპოლონი", რეჟ. უ. გრიგორეტი) და სხვ.

ომისშემდგომი წლების ი-ის გამოჩენილი მსახიობები არიან: ა. *მანიანი*, ჯ. *მაზინა*, ს. *ლორენი*, ჯ. ლოლობრიჯიდა, კ. კარდინალე, ს. ხანდრელი. მ. *მასტროიანი*, ჯ. მ. ვოლონტე, ა. *სორდი*, *ტოტო*, უ. ტონიაცი და სხვ. იმართება კინოფესტივალები ვენეციაში, პადუაში, ტრენტოში, ბორდიგერში, პალერმოში და სხვ. ი-ში არის 40-მდე კინოფირმა, აქვთ 20 ათ. კინოდანადგარი. იტალ. კინოწარმოება წელიწადში უშვებს 200-ზე მეტ ფილმს.

ლიტ.: Лидзани К., Итальянское кино, пер. с итал., М., 1956; Муратов Л. Г., Итальянский экран, Л., 1971; Садуль Ж., Всеобщая история кино, [пер. с франц.], т. 2, 3, 6, М., 1958—63; Соловьева И., Кино Италии (1945—1960). Очерки, М., 1961.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 288—289.
ილუსტრაცია — იხ. ჩანართი I — II, გვ. 192—193.

იტალია-ეთიოპიის ომები, იტალიის კოლონიური, დამპყრობლური ომები ეთიოპიის წინააღმდეგ. 1895—96 ომი. 1895 ბოლოს იტალ. ჯარებმა გენ. ბარატიერის სარდლობით მიიტაცეს პროვინცია ტიგრე. კოლონიზატორების მოსაგერიებლად იმპ. მენელიკ II-მ შექმნა 120-ათასიანი არმია. 1895 წ. 7 დეკ. ამბა-ალაგისთან ბრძოლაში ეთიოპ. ჯარმა პირველი დიდი დამარცხება აგემა იტალიელებს. 1896 წ. 1 მარტს ქ. ადუვასთან ბრძოლაში გაანადგურა იტალ. 20-ათასიანი არმია. 1896 წ. 26 ოქტ. ადის-აბებაში დადებული ხელშეკრულებით იტალია იძულებული გახდა ელიარებინა ეთიოპ. სრული სუვერენიტეტი. 1935—36 ომი. 30-იანი წლების დასაწყისში იტალიამ თავის კოლონიებში — ერიტრეასა და იტალ. სომალიში — თავი მოუყარა დიდძალ ჯარს. 1934—35 მოაწყო პროვოკაციული სასაზღვრო შეტაკებები ეთიოპიასთან. 1935 წ. 3 ოქტ. იტალ. არმია მარშალ პ. ბადოლიოს სარდლობით შეიჭრა ეთიოპიაში. მის წინააღმდეგ იბრძოდა ეთიოპ. არმია ჰაილე სელასიე I-ის მეთაურობით. ეთიოპიელებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს იტალ. აგრესორებს, მაგრამ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მხოლოდ საბჭ. კავშირი (ერთა ლიგაში და დამოუკიდებლადაც) მოითხოვდა აგრესიის აღკვეთასა და ეთიოპიისათვის დახმარების გაწევას. დას.. სახელმწიფოები არსებითად აგრესორის წაქეზე-

ბის პოლიტიკას ატარებდნენ. 1935 აგვ. აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ, რაც ეთიოპიას აშშ-ში იარაღის ყიდვის შესაძლებლობას ართმევდა. საფრანგეთმა ჯერ კიდევ 1935 იანვარში იტალიასთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭა მას ეთიოპიაში მოქმედების თავისუფლება. 1935 დეკ. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დადეს შეთანხმება, რ-იც ფაქტობრივად ეთიოპიის გაყოფას ითვალისწინებდა. ამავე დროს დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და აშშ ამარაგებდნენ იტალიას იარაღითა და სტრატეგიული ნედლეულით. 1936 წ. 5 მაისს იტალ. ჯარებმა დაიკავეს ადის-აბება. 1936 წ. 1 ივნ. იტალ. მთავრობამ გამოაცხადა იტალ. აღმ. აფრიკის კოლონიის შექმნა — ეთიოპიის, *ერიტრეისა* და იტალ. სომალის შემადგენლობით. პარტიზ. ომები ეთიოპიაში გრძელდებოდა ქვეყნის განთავისუფლებამდე — 1941 მაისამდე.

„ИТАЛИАНА“ („Enciclopedia italiana di scienze, lettere ed arti“—„მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იტალიური ენციკლოპედია“), უდიდესი უნივერსალური იტალიური ენციკლოპედია გამოიცა 1929—39 წწ. 36 ტომად, ბოლო ტომი წარმოადგენს მთელი გამოცემისა და 1-ლი დამატების (Appendice 1, 1938) საძიებელს (შემდეგი ორი ორტომიანი დამატება მოიცავს შესაბამისად 1938—48 და 1949—61 პერიოდებს). „Ი.“ უფრო ჰუმანიტარული ხასიათისაა, დამატებით ტომებში კი მეტი ადგილი ეთმობა ბიოლ. და ტექ. მეცნიერებებს. „Ი-ში“ ჭარბობს ვრცელი მიმოხილვითი სტატიები, რ-ებსაც ერთვის სარეკომენდაციო ლიტ-რა რამდენიმე ევრ. ენაზე. ტერმინებს თან ახლავს აგრეთვე შესატყვისი მითითებანი ფრანგ., ესპ., გერმ. და ინგლ. ენებზე.

„Ი.“ მდიდრულადაა ილუსტრირებული რეპროდუქციებით, გეოგრ. რუკებით, პორტრეტებითა და სხვ. ენციკლოპედია მომზადდა და გამოვიდა იტალიაში ფაშიზმის ბატონობის პერიოდში, ამიტომ ბევრი სტატია გაჟღენთილია ფაშისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით, რაც დიდად აქვეითებს მთელი გამოცემის ხარისხს, მასში უხვად მოცემული ძვირფასი საცნობარო მასალის მიუხედავად.

ИТАЛИА-ОСМАЛЕТИСТ ОМИ 1911 — 12 ტრიპოლიტანიის ანექსიის ომი, დამპყრობლური ომი, რ-იც წამოიწყო იმპერიალისტურმა იტალიამ ოსმალეთის იმპერიის ჩრდ. აფრიკის პროვინციების — ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის ხელში ჩასაგდებად. დაიწყო 1911 წ. 29 სექტემბერს. 5 ოქტ. იტალ. საზღვ. დესანტმა დაიკავა ტრიპოლი და ჰომსი, ხოლო საექსპედიციო კორპუსის გადმოსხმის შემდეგ იტალ. ჯარებმა დაიკავეს ქ-ები ტობრუკი (14 ოქტ.), დერნა (17 ოქტ.), ბენღაზი (21 ოქტ.) და ზოგიერთი ზღვისპირა ოაზისი. ოსმ. ჯარებმა სამხრ-კენ დაიხიეს, მაგრამ იტალიელებმა სამხ.-ტექ. უპირატესობისა და მკაცრი დამსჯელი ღონისძიებების მიუხედავად ვერ შეძლეს შეჭრილიყვნენ ქვეყნის სიღრმეში. მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილ. მოსახლ. პარტიზ. რაზმები, აგრეთვე არაბ. ქვეყნებიდან მოსულ მოხალისეთა სამხ. შენაერთები. 1911 ბოლოსათვის იტალიელები მხოლოდ სანაპირო რ-ნებს ინარჩუნებდნენ. Ი.-ო. ო-ში პირველად გამოიყენეს ავიაცია დაზვერვისა და დაბომბვისათვის (1912 აპრ.-ივლ-ში იტალ. ავიაციამ დაბომბა დარდანელი). ოსმ. იმპერიაში კრიზისის გაძლიერებამ და ბალკ. ომმა (1912—13) აიძულა ოსმ. მთავრობა უარი ეთქვა ტრიპოლიტანიასა და კირენაიკაზე. 1912 წ. 15 ოქტ. უშიში (შვეიცარია) ხელი მოაწერეს წინასწარ საიდუმლო, ხოლო 18 ოქტ. ლოზანაში — ოფიც. საზავო ხელშეკრულებას, რ-ის შედეგად ტრიპოლიტანია და კირენაიკა ფაქტობრივად იტალ. კოლონიად იქცა (შემდეგში ლიბიად იწოდებოდა). სახ.-განმათ. ომი იტალ. კოლონიზატორების წინააღმდეგ დამთავრდა მხოლოდ 1943, როცა იტალ. ჯარები განდევნეს ლიბიიდან.

ИТАЛИА-САБЕРძნეთის ОМИ 1940—41, ფაშისტური იტალიის საომარი მოქმედება საბერძნეთის წინააღმდეგ II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. 1940 წ. 28 ოქტ. *მუსოლინის* მთავრობამ ომი გამოუცხადა საბერძნეთს. იტალიელთა მიერ 1939 ოკუპირებული ალბანეთიდან საბერძნეთში გაიგზავნა იტალ. მე-9 არმია გენ. ვისკონტი პრასკას სარდლობით. საბერძნეთს მესაზღვრეთა ნაწილების გარდა საზღვარზე ჰყავდა 2 ქვეითი დივიზია და გენ. პაპაგოსის ეპირის არმიის 2 ქვეითი ბრიგადა. იტალ. სარდლობა დარწმუნებული იყო სწრაფ წარმატებაში, მაგრამ საბერძნ. არმიამ, რ-იც მოხერხებულად იყენებდა მთაგორიან რელიეფს, შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია იტალიელებს და 14 ნოემბ. შეაჩერა მათი შეტევა, ხოლო დამხმარე ძალის მიღების შემდეგ კონტრშეტევაზე გადავიდა. 21 ნოემბ. საბერძნ. არმია ალბ. ტერიტორიაზე შეიჭრა, მაგრამ ფაშისტური გერმ ჯარების ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ საბერძნ. არმია დამარცხდა (1941 აპრ.). 1941 წ. 23 აპრ. გენ. ცოლაკოლლუმ სალონიკში ხელი მოაწერა საბერძნ. კაპიტულაციის და იტალიასა და გერმანიასთან დაზავების აქტს.

ИТАЛИელები, ერი, იტალიის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 55,6 მლნ. კაცი (1978). Ი-ის დიდი ჯგუფები (სულ დაახლ. 10 მლნ. კაცი) ცხოვრობენ ევრ. სხვა ქვეყნებში, ჩრდ. და სამხრ. ამერიკაში, ჩრდ. აფრიკაში, ავსტრალიაში, მცირე ჯგუფები — აზიის ქვეყნებში. ენა — იტალიური. მორწმუნეთა უმრავლესობა კათოლიკეა.

ძვ. წ. I ათასწლეულში აპენინის ნ.-კ-ის მოსახლ. მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ იტალ. ტომები (იხ. *იტალიკები*). ძვ. წ. VI—II სს-ში ლაციუმის ოლქში მცხოვრებმა ლათინებმა, რ-ებიც რომის დამაარსებლად ითვლებოდნენ, დაიმორჩილეს დანარჩენი იტალ. ტომები, აგრეთვე ნ.-კ-ის ჩრდ. ნაწილში მოსახლე ეტრუსკები, ლიგურები, ვენეტები, კელტები და ნ.-კ-ის სამხრ. ნაწილსა და სარდინიის, სიცილიის, კორსიკის კ-ებზე მოსახლე ბერძნები, კართაგენელები და სიკულები. I—II სს-ში ნ.-კ-ის მთელი მოსახლეობა უკვე ლაპარაკობდა ე. წ. ხალხურ ლათინურზე. ამასთან, იტალ. ტომთა ენებმა თავისებურება შესძინა ადგილ. დიალექტებს, რამაც შემდგომში გავლენა მოახდინა იტალ. ენის დიალექტების ჩამოყალიბებაზე. პირველ საუკუნეებში იწყება აპენინის ნ.-კ-ის რომანიზებული მოსახლ. ინტენს. შერევა სხვადასხვა წარმოშობის ტომებთან, V ს-იდან კი — გერმ. ტომებთან (ვესტგუთები, ვანდალები, ოსტგუთები, ლანგობარდები). VI — X სს-ში იტალ. ზოგიერთი ოლქი ბიზანტიელების, ფრანკების, არაბების, უნგრელებისა და ნორმანების გავლენის ქვეშ მოექცა. მიმდინარეობდა იტალ. მოსახლ. შერევა დამპყრობლებთან და ამ პროცესში ყალიბდებოდა იტალ. ეროვნება და იტალ. ხალხური ენა. მაგრამ ოფიც. ენად მაინც ლათინური რჩებოდა. XI—XIII სს-ში დასრულდა იტალ. ეროვნების ჩამოყალიბება, რაშიც დიდი როლი ითამაშა ერთიანი იტალ. ენის თანდათანობით გაბატონებამ. XIII—XIV სს-ში ასეთი ენის მნიშვნელობა მოიპოვა ტოსკანურმა დიალექტმა. მაგრამ ქვეყნის ხანგრძლივი პოლიტ. დაქსაქსულობა ხელს უშლიდა იტალ. ცალკეული ოლქების მოსახლ. კონსოლიდაციას ერთ ერად. ეს პროცესი მხოლოდ XIX ს. II ნახევარში დასრულდა, იტალიაში კაპიტალიზმის განვითარებისა და ერთიანი სახელმწიფოს შექმნის დროს. იტალ. ცალკეულ ოლქებში დღემდეა შემორჩენილი ზოგიერთი განსხვავება მატერ. და სულიერ კულტურაში (მაგ., დასახლებებისა და საცხოვრ. ნაგებობათა სხვადასხვა ტიპები სოფლად ჩრდ., ცენტრ. და სამხრ. იტალიაში).

ლიტ.: История Италии, т. 1—3, М., 1970—71; Канделоро Дж., История современной Италии, пер. с итал., т. 1—4, 1958—66; Народы зарубежной Европы, т. 2, М., 1965.

ИТАЛИИС ბანკი (Banca d'Italia), ცენტრალური საემისიო ბანკი, რ-საც კონტროლს უწევს სახელმწიფო. დაარსდა 1893. 1926-მდე ნეაპოლისა და სიცილიის ბანკებთან ერთად ახორციელებდა ბანკნოტების ემისიას. 1926-იდან ბანკნოტების გამოშვების მონოპ. უფლებით სარგებლობდა. Ი. ბ. 1936-იდან ე. წ. „ბანკების ბანკია“, აკრედიტებს მხოლოდ ბანკებს და სახელმწ. ფინანსურ ინ-ტებს. ბანკთა შექმნილი კრედიტებისა და დაზოგვების სამინისტროთაშორისო კომიტეტი კონტროლს უწევს ქვეყნის იმ კომერც. ბანკების საქმიანობას, რ-ებიც 1947-იდან ვალდებული არიან Ი. ბ-ში იქონიონ თავიანთი რეზერვები — დეპოზიტები ან სახელმწ. ფასიანი ქაღალდები. ამ დეპოზიტების სახით ბანკს შეუძლია გამოუშვას სახაზინო თამასუქები. სავალუტო კონტროლს ხორციელდება იტალ. სავალუტო ბიუროსა და Ი. ბ-ის მჭიდრო კონტაქტით. ბანკს აქვს 15 კანტორა და 80 განყ-ბა (1974).

ИТАЛИИს კამპანია 1943—45, დიდ. ბრიტანეთისა და აშშ-ის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საომარი მოქმედება იტალიაში II მსოფლიო ომის (1939—45) დროს ფაშისტური გერმანიისა და ფაშისტური იტალიის ჯარების წინააღმდეგ. სხვადასხვა დროს ინგლ.-ამერ. მხარეზე იბრძოდნენ ავსტრ., ალჟირის, ბრაზ., საბერძნ., ინდ. და სხვ. სამხ. ნაწილები და შენაერთები. 1943 ზამთარსა და გაზაფხულზე საბჭ. კავშირ-გერმ. ფრონტზე და ჩრდ. აფრიკაში გერმ. და იტალ. ჯარების მძიმე დამარცხებათა გამო იტალ. არმიის ბრძოლისუნარიანობა მკვეთრად დაეცა, ხოლო თვით იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობა სწრაფად გაძლიერდა. მეტროპოლიას იცავდა 44 ნაკლებბრძოლისუნარიანი დივიზია, 6 ბრიგადა, 600 თვითმფრინავი და 183 ხომალდი. ფაშისტურმა გერმანიამ იტალიაში მხოლოდ 7 დივიზია, 1 ბრიგადის, დაახლ. 500-მდე თვითმფრინავისა და 60 საბრძოლო ხომალდი გაგზავნა შეძლო. 10 ივლ. ინგლ.-ამერ. ჯარები (გენ. ჰ. ალექსანდერის მე-15 არმიათა ჯგუფი, რ-საც მხარს უჭერდა სამხ. საზღვ. და სამხ.-საჰაერო ძალების ძლიერ შენაერთები) დ. ეიზენჰაუერის საერთო სარდლობით სიცილიაში გადასხდნენ და 17 აგვ. კუნძული დაიკავეს. იტალ. მმართველმა წრეებმა ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით 25 ივლ. რომში გადატრიალება მოაწყვეს, მეფის ბრძანებით ბ. მუსოლინი დააპატიმრეს და შეცვალეს მარშალ პ. ბადოლიოთი, რ-იც იძულებული იყო 3 სექტ. ხელი მოეწერა იტალ. კაპიტულაციის პირობებზე. 3 სექტ. ინგლ. მე-8 არმიის ჯგუფები სამხრ. იტალიაში გადასხდნენ და დაიწყეს წინსვლა ჩრდ-კენ. მოკავშირეთა სარდლობამ 8 სექტ. გამოაქვეყნა შეთანხმება იტალიის კაპიტულაციის შესახებ. ფაშისტური გერმ. სარდლობამ სასწრაფოდ გადაისროლა იტალიაში კიდევ 10 დივიზია, განაიარაღა იტალ. თითქმის მთელი არმია და დაიკავა ქვეყნის უმეტესი ნაწილი. იტალ. მთავრობა და უმაღლესი სარდლობა მოკავშირეებთან გაიქცნენ. გერმანელებმა გაათავისუფლეს მუსოლინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღადგინეს მისი ხელისუფლება. 9 სექტ. სალერნოში, რ-ნში გადასხდნენ ამერ. მე-5 არმიის ჯგუფები. ინგლ. მე-8 არმიასთან ერთად ისინი ნელა მიიწევდნენ ჩრდ-კენ. ნოემბრის დასაწყისში ფაშისტური გერმ. ჯარებმა (ამ მიათა ჯგუფი „ც“, მე-10 და მე-14 არმიები) გენ. ა. კესელრინგის სარდლობით დაიხიეს წინასწარ მომზადებულ ზღუდეზე, რ-იც გადიოდა მდ-ებზე გარილიანოსა და

სანგროზე. 1943 ნოემბ.—1944 მარტში მოკავშირეებმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადეს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა, გერმ. ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაიშალა პარტიზ. მოძრაობა, რ-ის წამყვანი ძალა იტალიის კომპარტია იყო, მონაწილეობდნენ აგრეთვე სოციალისტები, კათოლიკეები და სხვ. (მაისში დაახლ. 80 ათ. კაცი). 11 მაისს მოკავშირეთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ კასინოს სამხრ. რ-ნში. 4 ივნ. ამერ. ჯარები შევიდნენ მოწინააღმდეგის მიერ დატოვებულ რომში, ხოლო 15 აგვ. მოკავშირეთა მე-15 არმიათა ჯგუფი იტალ. პარტიზანთა აქტ. დახმარებით გავიდა ზღუდეზე — რიმინის სამხრ.-აღმ-ით, ფლორენცია, მდ. არნო. 28 აგვ. მოკავშირეებმა შეტევა განაახლეს. 15 სექტ. მათ დაიწყეს ე. წ. გუთური ხაზის (პიზის, ფლორენციის, პეზაროს ჩრდ-ით) გარღვევა, მაგრამ მდ. პოს დაბლობზე გასვლა ვერ შეძლეს. მხოლოდ 1945 წ. 9 აპრ. განაახლეს მოკავშირეებმა (უმაღლესი სარდალი ფელდმარშალი ჰ. ალექსანდერი) შეტევა. მათ ძალებისა და საშუალებების დიდი უპირატესობა ჰქონდათ. 21 აპრ-თვის მოკავშირეებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და პარტიზანების დახმარებით ბოლონია გაათავისუფლეს. 25 აპრ. გენუაში, მილანში, ვენეციასა და სხვაგან კომპარტიისა და სხვა მემარცხენე ძალების მოწოდებით საყოველთაო აჯანყება დაიწყო. 26 აპრ. აჯანყება მოედო ჩრდ. იტალიას, რ-იც თითქმის მთლიანად წინააღმდეგობის ძალებმა გაათავისუფლეს. ი. ჯ. დამთავრდა 1945 წ. 2 მაისს ფაშისტური გერმ. არმიათა ჯგუფის „ც-ს" კაპიტულაციით.

ИТАЛИИС КОМУНИСТУРИ ПАРТИА (ИКП; Partito Comunista Italiano), შეიქმნა 1921 წ. 21 იანვარს ქ. ლივორნოში გამართულ ყრილობაზე. 1923—24 კომინტერნის მხარდაჭერით იკპ-ის ხელმძღვანელობა განახლდა. ახ. ხელმძღვანელობამ (ა. *გრამში*, პ. *ტოლიატი*, მ. სკოჩიმარო, უ. ტერაჩინი და სხვ.) ხელი შეუწყო პარტიაში სექტანტობის დაძლევას. პარტიის III ყრილობამ (1926) გარდატეხა მოახდინა იტალ. კომუნისტურ მოძრაობაში, შეიმუშავა ყველა მშრომელის მობილიზაციის ტაქტიკა ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. აშკარა ფაშისტური დიქტატურის პერიოდში (1926—43) იკპ არალეგალურად მუშაობდა და ერთადერთი პარტია იყო, რ-იც აქტიურად იბრძოდა ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. იკპ-ის ბევრი ლიდერი რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ციხეში დაიღუპა იკპ-ის ხელმძღვანელი ა. გრამში. გრამშის დაპატიმრების (1926) შემდეგ პარტიის ხელმძღვანელი გახდა პ. ტოლიატი. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად 1934 იკპ-ისა და იტალ. სოციალ. პარტიას (ისპ) შორის პარიზში დაიდო შეთანხმება ერთიანი მოქმედების შესახებ, რ-იც ძალაში რჩებოდა 1956-მდე. II მსოფლიო ომის (1939—45) წლებში იკპ იყო წინააღმდეგობის მოძრაობისა და ეროვნ. განთავისუფლების კომიტეტების შექმნის მთავარი ორგანიზატორი. 1944—47 კომუნისტები შედიოდნენ იტალ. მთავრობაში, გამოდიოდნენ სოციალ.-დემოკრ. გარდაქმნათა ინიციატორებად, აქტიურად იცავდნენ მშრომელთა ინტერესებს. კომუნისტებმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს იტალიის რესპუბლიკად გამოცხადებისა და დემოკრ. კონსტიტუციის მომუშავებაში. ბრძოლა ამ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისათვის ამყამადაც შეადგენს მშრომელი ხალხის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას. იკპ მუშაობს მაღალგანვითარებულ კაპიტალ. ქვეყნაში, რ-ის ბურჟუაზია ქვეყნის შიგნით თავისი პოზიციების შენარჩუნებისათვის ეყრდნობა კათოლ. ეკლესიის (*ვატიკანის*) მძლავრ გავლენას, ხოლო საერთაშ. ასპარეზზე—იმპერიალისტურ წრეებსა და ნატოს. მსოფლიო რეაქციისა და ქვეყნის მემარჯვენე ძალების გავლენით 1947 კომუნისტები გამოიყვანეს მთავრობიდან. 1972—79 ნეოფაშისტური პროვოკაციები პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული იყო საერთაშ. რეაქციის ძირგამომთხრელ მოქმედებასთან, რ-იც მიზნად ისახავს არ დაუშვას მემარცხენე რევ. ძალთა გავლენის ზრდა და ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაცია. იკპ-ის პროგრამა ითვალისწინებს ღონისძიებათა გატარებას სახელმწ. წყობილების დემოკრატიზაციისა და ქვეყანაში ღრმა სოციალ. გარდაქმნებისათვის (მრეწვ. მთავარი დარგების ნაციონალიზაცია, წარმოებაში დემოკრ. კონტროლის შემოღება, ფართო აგრ. რეფორმის გატარება, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, სკოლის დემოკრატიზაცია, სამედ. მომსახურებისა და სოც. უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის შემოღება და სხვ.). საერთაშ. ურთიერთობათა სფეროში იკპ მთავრობისაგან მოითხოვს ისეთი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რ-იც მიმართული იქნება საერთაშ. დაძაბულობის შენელებისა და მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ. თანამედროვე პირობებში იკპ-ს საჭიროდ მიაჩნია გეზი აიღოს უპირატესად რევ. პროცესის მშვიდობიან განვითარებაზე, იბრძოლოს მაქსიმალურად ფართო ანტიმონოპ. ფრონტის შექმნისათვის, რამაც შესაძლებელი უნდა გახადოს ქვეყანაში სოციალ. გარდაქმნების განხორციელება. იკპ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, 1969 მოსკოვი). 1972 იკპ შეიტანა *პროლეტარული ერთიანობის იტალიის სოციალისტური პარტიის* (პეისპ) წევრებით. 1972 საპარლამენტო არჩევნებში იკპ-ის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 27,2%-მა, 1968 — 26,6%. დეპუტატთა პალატაში კომუნისტებმა მიიღეს 175 მანდატი (630-იდან), სენატში — 74 (315-იდან). 1975 მუნიციპალურ არჩევნებში კომუნისტებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მათ ხმა მისცა ამომრჩეველთა 32,5%-მა. პარტია აერთიანებს 1814,3 ათ. (1978) წევრს. უმაღლესი ორგანოა ყრილობა, იწვევენ 3 წელიწადში ერთხელ. ყრილობა ირჩევს ცკ-ს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რ-იც თავის მხრივ ირჩევს იკპ-ის ხელმძღვანელობას და სამდივნოს. თავ-რეა ლ. *ლონგო*, გენ. მდივანი — ე. *ბერლინგუერი*. ცენტრ. ორგანოა გაზეთი „უნიტა" („L'Unità"), თეორ. ორგანო — „რინაშიტა" (La Rinàscita).

ИТАЛИИС РЕВОЛУЦИА 1848—49, ბურჟუაზიული რევოლუცია, რ-ის მთავარი მიზანი იყო ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილების დამხობა, იტალიაში ავსტრიის ბატონობის მოსპობა და ქვეყნის გაერთიანება. ბრძოლის I ეტაპზე (1848 იანვ.-აგვისტო) მოძრაობას სათავეში ედგა ლიბერ. ბურჟუაზია, რ-საც სურდა ქვეყნის განთავისუფლება და „ზემოდან" გაერთიანება სავოიის დინასტიის ან რომის პაპის პიუს IX-ის მეთაურობით. რევოლუცია დაიწყო 1848 წ. 12 იანვ. სახ. აჯანყებით (პალერმოში, კ. სიცილიაზე). 1848 თებ.-მარტში *ორივე სიცილიის სამეფოსა* და სარდინიის სამეფოში, ტოსკანის დიდ საჰერცოგოსა და რომის პაპის სახელმწიფოში ზომიერი ბურჟ. კონსტიტუციები შემოიღეს. 1848 მარტში სახ. აჯანყების შედეგად ბოლო მოეღო ავსტრიელთა ბატონობას ლომბარდიასა და ვენეციაში (22 მარტს ვენეცია რესპუბლიკად გამოცხადდა). პარმისა და მოდენის საჰერცოგოებში დაამხეს ავსტრ. ორიენტაციის მთავრობები. დაიწყო განმათ. ომი ავსტრიელთა წინააღმდეგ. 29 აპრ. პიუს IX გამოვიდა მოწოდებით ავსტრიასთან ომის შეწყვეტის შესახებ, 15 მაისს ნეაპოლში კონტრრევ. გადატრიალება მოხდა, ხოლო კუსტოცასთან ბრძოლაში (23 ივნ.) იტალ. დამარცხების შემდეგ დაიდო დროებითი ზავი, რ-ითაც ლომბარდია და ვენეცია ავსტრიამ დაიბრუნა. 1848 შემოდგომაზე დაიწყო რევ. მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე რევ. მოძრაობას ბურჟ.-დემოკრ. რევოლუციონერები (ჯ. *მაძინი*, ჯ. *გარიბალდი* და სხვ.) მეთაურობდნენ. რევ. ბრძოლის ცენტრი გახდა ვენეცია და ტოსკანა, ხოლო 1848 — პაპის სახელმწიფო, სადაც 16 ნოემბ. სახ. აჯანყების შედეგად საერო მთავრობა შეიქმნა. 1849 წ. 9 თებ. რომი რესპუბლიკად გამოცხადდა. ხელისუფლება ტრიუმვირატის (მარტიდან მისი ხელმძღვანელი იყო ჯ. მაძინი) ხელში გადავიდა. შემოიღეს პროგრ. სოც. კანონმდებლობა. მაგრამ ბურჟ.-დემოკრ. კომპრომისულმა პოლიტიკამ, კონტრრევოლუციასთან გაუბედავმა ბრძოლამ, რომის რესპ. ძალები დაასუსტა. ასეთივე იყო ვენეციის ტრიუმვირატის პოზიციაც. 20 მარტს განახლდა ომი ავსტრიასთან. 23 მარტს კარლო ალბერტოს არმია ნოვარასთან ბრძოლაში დამარცხდა. სამხ. კატასტროფით ისარგებლა კონტრრევოლუციამ. 1849 მაისში ავსტრიელებმა დაიკავეს ფლორენცია, ნეაპოლელ ბურბონთა ჯარებმა—კ. სიცილია. 1849 წ. 3 ივლ. კონტრრევ. გაერთ. ძალებმა (საფრანგეთი, ავსტრია, ესპანეთი, ორივე სიცილიის სამეფო) გაანადგურეს რომის რესპუბლიკა, 22 აგვ. დაეცა რკალში მოქცეული ვენეცია. რევ. დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ბურჟ. მოწინავე წარმომადგენლებმა ვერ შეასრულეს ჰეგემონის მისია, ვერ შეძლეს მასების ორგანიზება და მათთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა. ეს რევოლუცია ეროვნ. მასშტაბის პირველი რევოლუცია იყო. მან დიდი გავლენა მოახდინა იტალ. ხალხის განმათ. მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე.

ИТАЛИИС СОЦИАЛИСТУРИ ПАРТИА (Оსპ; Partito Socialista Italiano), შეიქმნა 1892 აგვისტოს, გენუაში დამფუძნებელ ყრილობაზე. პარტიაში თავიდანვე ბრძოლა იყო ორ მთავარ მიმდინარეობას — მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს—შორის. ისპ გამოდიოდა I მსოფლიო იმპერიალ. ომის (1914—18) წინააღმდეგ. მხარს უჭერდა მოძრაობას საბჭ. რუსეთის დასაცავად. რეფორმისტების განდევნის შემდეგ (1922 ოქტ.) ისპ-ს უნიტარული სოციალ. პარტია ეწოდა (მდივანი ჯ. *მატეოტი*). აშკარა ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ 1926-იდან, პარტიამ ფაქტობრივად შეწყვიტა საქმიანობა იტალიაში. ფაშიზმისა და II მსოფლიო ომის საშიშროებამ ხელი შეუწყო ისპ-ის ემიგრანტული ორგანიზაციების დაახლოებას კომუნისტებთან და კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის 1934 ერთობლივი მოქმედების შესახებ პაქტის დადებას. 1943—45 ისპ მონაწილეობდა გერმ. ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში. II მსოფლიო ომის შემდეგ პარტიამ კომუნისტებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იტალიაში რესპ. წყობილების დამყარებისა და დემოკრ. კონსტიტუციისათვის ბრძოლაში. 1947 სოციალისტებისა და კომუნისტების მთავრობიდან გასვლის შემდეგ პარტიის მემარჯვენე ფრთამ (ჯ. სარაგატის მეთაურობით) და ჯ. რომიტის ჯგუფმა შექმნეს (1951) იტალ. ს.-დ. პარტია (ისდპ), 1953-იდან ისპ თანდათან ჩამოსცილდა იტალ. კომუნისტურ პარტიას, 1956 გააუქმა კომუნისტებთან ერთობლივი მოქმედების პაქტი. 1964 დასასრ. მემარცხენე სოციალისტების ნაწილმა ტ. ვეკიეტის მეთაურობით შექმნა *პროლეტარული ერთიანობის იტალიის სოციალისტური პარტია*. 1963—73 სოციალისტები შედიოდნენ მემარცხენე ცენტრისტული ბლოკის მთავრობაში ქრისტიან-დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან ერთად. ისპ-ის XXXIX ყრილობამ (1972 ნოემბ.) მიუხედავად ღრმა უთანხმოებისა ორ მთავარ მიმდინარეობას (დე მარტინოსა და მანჩინის მეთაურობით) შორის მხარი დაუჭირა მემარჯვენე ძალებ-

თან თანამშრომლობის შეწყვეტას და საერთო ეროვნ. საკითხების გადაწყვეტისას კომუნისტების დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოვიდა. ისპ გავლენით სარგებლობდა მასობრივ დემოკრ. ორგანიზაციებში, პროფკავშირებსა და კოოპ. მოძრაობაში. კომუნისტებთან ერთად სოციალისტები სათავეში უდგნენ საოლქო და პროვინციული თვითმმართველობის ბევრ ორგანოს. ამჟამად პარტია გამოდის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მხარს უჭერს დემოკრ. განახლებას და სოც. რეფორმების პოლიტიკას. ისპ აერთიანებს 435 ათ-ზე მეტ წევრს (1978). პარტიის თავ-რეა პ. *ნენი*, მდივანი — ბ. კრაქსი. ბეჭდვითი ორგანოა ყოველდღიური გაზ. „ავანტი!" („Avanti!").

იტალიკები (ლათ. Italici), ძველი ხალხები, ცხოვრობდნენ აპენინის ნ.-კ-ზე. ენობრივად განეკუთვნებოდნენ ინდოევროპულ ენათა ოჯახს. ი. ქმნიდნენ 2 განშტოებას: ლათინურ-ფალისკურს და ოსკურ-უმბრიულ-საბელურს (სამნიტები, საბინები, ვოლსკები და სხვ.). ი. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ადრე დაწინაურდნენ ლათინები, რ-ებსაც ძვ. წ. VI ს-ში უკვე ჰქონდათ ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფოები. XIX ს-იდან მეცნიერებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ი. აპენინის ნ.-კ-ზე ძვ. წ. II ათასწლეულში ალპების იქითა მხრიდან მოვიდნენ და თან ლითონის კულტურა მოიტანეს. ზოგიერთი მეცნიერის შეხედულებით, ი. ცენტრ. ევროპიდან ორ ტალღად წამოვიდნენ: პირველად პროტოლათინები, ტერამარის კულტურის შემქმნელნი, გადმოსახლდნენ (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისში), შემდეგ კი, II ათასწლ. მიწურულსა და I ათასწლ. დასაწყისში, უმბრებისა და საბელების წინაპარნი ჩამოსახლდნენ და ვილანოვის კულტურა შექმნეს. თანამედროვე იტალ. ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ იტალ. ძვ. კულტურები თანამიმდევრულად და უწყვეტად ვითარდებოდა მიგრაციისაგან დამოუკიდებლად, რომ დროდადრო გადმოდიოდნენ ინდოევრ. ტომები ბალკ. ნ.-კ-იდან ადრიატიკის გზით (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისიდან) და სახლდებოდნენ აპენინის ნ.-კ-ზე დას-იდან აღმ-კენ, ჩრდ-იდან სამხრ-კენ. ი-ს უწოდებდნენ აგრეთვე აპენინის ნ.-კ-ზე მცხოვრებ ტომებს, რ-ებიც რომმა ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შედეგად დაიმორჩილა (ძვ. წ. V—III სს.). *მოკავშირეთა ომის* (ძვ. წ. I ს.) შემდეგ რომი იძულებული გახდა ი-თვის რომის მოქალაქეობა მიენიჭებინა. საბოლოოდ ი-ის ბრძოლა რომის წინააღმდეგ მათი რომანიზაციით დამთავრდა.

ლიტ.: Немировский А. И., История раннего Рима и Италии, Воронеж, 1962; Devoto G., Altitalien, წგნ.: Historia mundi, Bd. 3, Bern, 1954.

ლ. სანიკიძე.

იტალიკური ენები, ინდოევროპული ენების ჯგუფი, რ-შიც გაერთიანებულია აწ მკვდარი ენები — ლათინური, ფალისკური, ოსკური, უმბრიული და სხვ. მრავალრიცხოვანი დიალექტებითურთ. ი. ე. გავრცელებული ყოფილა ცენტრ. და სამხრ. იტალიაში. მათგან ლათ. ენა რომის იმპერიის სახელმწ. ენა იყო. მოღწეულია აგრეთვე 300-მდე წარწერა, რ-ებიც დაწერილია ოსკურ, უმბრიულ და ფალისკურ ენებზე ბერძნ., ეტრუსკული და ლათ. ანბანით. მათგან უმნიშვნელოვანესია 1444 გუბიოს (უმბრია) მახლობლად ნაპოვნი ფირფიტები (4000-მდე სიტყვა, ძვ. წ. III—II სს.), რ-თა ტექსტი რელიგ. შინაარსისაა. დანარჩენი ტექსტები მოკლეა (მონეტების, საფლავისა და სამიჯნე ქვების წარწერები).

ლიტ.: Pisani V., Manuale storico della lingua latina, t. 4 — Le lingue dell' Italia antica oltre il latino, 2 ed., Torino, 1964.

იტალიური ენა, განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა რომანულ ჯგუფს. ი. ე-ზე ლაპარაკობენ იტალიაში (დაახლ. 54 მლნ. კაცი, 1971, შეფასება), სან-მარინოში, შვეიცარიაში ტესინის კანტონში, კორსიკაზე, კ. მალტაზე, გავრცელებულია იტალ. ემიგრანტთა შორის (7 მლნ-ზე მეტი კაცი) აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში, აგრეთვე სომალის რესპუბლიკაში, სადაც ი. ე. ერთ-ერთი ოფიც. ენაა. ი. ე. განვითარდა ხალხ. ლათინურიდან რომის იმპერიის დაშლის შემდეგ. წერილობითი ძეგლები იტალ. დიალექტებზე განეკუთვნება X—XII სს., პირველი ლიტ. ძეგლები კი — XIII ს. („პოეტთა სიცილიური სკოლა"). იტალ. დიალექტები 3 ჯგუფად იყოფა: ჩრდილოური (პიემონტის, ლომბარდიის, ემილია-რომანიის, ვენეციისა და ისტრიის გალურ-იტალ. დიალექტები), ცენტრ.-სამხრეთული (მარკეს, უმბრიის, ლაციოს, კამპანიის, აპულიის, აბრუციის, მოლიზეს, ბაზილიკატის, სიცილიის) და ტოსკანური (ფლორენციის, სიენის, არეცოს, პიზის). საერთოიტალ. სალიტ. ენა ჩამოყალიბდა ტოსკანური დიალექტის საფუძველზე (XIV ს.) და გავრცელდა ფლორენციელი მწერლების — დანტეს, პეტრარკას, ბოკაჩოს შემოქმედების მეშვეობით. იმის გამო, რომ 1871-მდე იტალია დაქუცმაცებული იყო, ერთიანი ი. ე. ტოსკანის გარეთ მხოლოდ წერილობით არსებობდა და მასზე ხელი მიუწვდებოდა მოსახლ. მარტო ნასწავლ ფენას. XX ს-ში რადიოსა და ტელევიზიის გავლენით ზეპირი სალიტ. ნორმა საყოველთაოდ ვრცელდება და, თავის მხრივ, ნაირ-ნაირ დიალექტურ ელფერს იძენს სხვადასხვა ოლქში (italiano rezionale). სალიტ. ი. ე-ში სიტყვას ბოლოში მოუდის ხმოვანი ბგერა. გამოიყოფა 7 ხმოვანი (e, i, ɛ, a, ɔ, o, u) და რამდენიმე დიფთონგი (uo, ie, io, ia, iu, au). ხშირია ხმოვანთა თავმოყრა [lei — „ის" (ქალი), io — „მე", aiuola — „კვალი"], დამახასიათებელია მარტივი და გემინირებული თანხმოვნების კორელაცია (dita „თითები", ditta — „ფირმა"). ბგერათა არტიკულაცია მკვეთრი და დაჭიმულია. სახელთა სქესი და რიცხვი გამოხატულია ფლექსიებით (rosa — „ვარდი", მრ. რ. — rose), განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა — არტიკლებით (il, la — uno, una); ბრუნვები არ გაარჩენია, საგანთა შორის მიმართებები გამოხატულია წინდებულებით (di, a, da), პირის, რიცხვის, დროის, კილოს კატეგორიები — ზმნის ფლექსიით. თხრობითი კილოს დროს სისტემა შედგება 4 მარტივი და 4 რთული ფორმისაგან. წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია.

ლიტ.: Бурсье Э., Основы романского языкознания, пер. с франц., М., 1952; Battaglia S., Pernicone V., La grammatica italiana, 2 ed., Torino, 1968; Migliorini B., Storia della lingua italiana, [2 ed.], Firenze, 1960.

იტალიური ენციკლოპედია, იხ. „იტალიანა".

იტალიური ლაშქრობა სუვოროვისა 1799, რუსეთ-ავსტრიის ჯარების (სარდალი ფელდმარშალი ა. სუვოროვი) საომარ მოქმედება საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ ჩრდ. იტალიაში საფრ. ომის (1798—1802) დროს ევრ. სახელმწიფოების II კოალიციასთან (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, რუსეთი, თურქეთი და ორივე სიცილიის სამეფო). რუსეთმა შავი ზღვიდან ხმელეთაშუა ზღვაში გააგზავნა ვიცე-ადმ. უშაკოვის ესკადრა, ჩრდ. იტალიაში — ორი კორპუსი (დაახლ. 33 ათ. კაცი) და შვეიცარიაში — გენ. ა. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი (27 ათ. კაცი). ჩრდ. იტალიაში იდგა ავსტრ. ფელდმარშალ მ. მელასის არმია (86 ათ. კაცი) და გენ. ა. როზენბერგის რუს. კორპუსი (22 ათ. კაცი). ფრანგებს ჩრდ. იტალიაში ჰყავდათ გენ. ბ. შერერის იტალ. არმია (58 ათ. კაცი), სამხრ. და შუა იტალიაში — გენ. ჟ. მაკდონალდის ნეაპოლური არმია (34 ათ. კაცი). სუვოროვმა ბლოკადაში მოაქცია ციხესიმაგრეები—პესკიერა და მანტუა, ხოლო მთავარი ძალებით (48,5 ათ. კაცი) 15—17 (26—28) აპრ. მდ. ადასთან ბრძოლაში ფრანგები დაამარცხა. 17—18 (28—29) აპრ. მოკავშირეთა ჯარები მილანში შეიჭრნენ, 15 (26) მაისს მოკავშირეთა არმიამ ტურინი დაიკავა. საფრ. სარდლობა გადაწყვიტა სუვოროვისათვის ორი მხრიდან დაერტყა: სამხრეთიდან — ჟ. მორუს ჯარით (14 ათ.) და აღმ-იდან — მაკდონალდის ჯარით (36 ათ.). სუვოროვმა ალესანდრიასთან მოროს წინააღმდეგ საფრანგეთი რაზმი ჩააყენა, თვითონ კი 22 ათ. კაცით მდ. ტრებიასთან შემხვედრ ბრძოლაში 6—(17—19) ივნისს მაკდონალდი დაამარცხა. მორომ სასწრაფოდ გენუისაკენ დაიხია, სადაც მას მაკდონალდის არმიის ნაწ


იტალიური ლაშქრობა სუვოროვისა 1799 წ.
ალპები
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი

ჩენები შეუერთდა. ივლ. ბოლოს საფრ. 35 ათასიანმა არმიამ გენ. ვ. ჟუბერის სარდლობით ალესანდრიასთან თავმოყრილ მოკავშირეთა მთავარ ძალებს შეუტია. სუვოროვი მას 50-ათასიანი არმიით შეეგება და 4 (15) აგვ. ნოვისთან ბრძოლაში დაამარცხა.

იტალიური ომები 1494—1559, სამხედრო ლაშქრობები და ომები უმთავრესად იტალიის მიწა-წყალზე. მთავარი მონაწილენი იყვნენ საფრანგეთი, ესპანეთი და „სალვთო რომის იმპერია" (აგრეთვე დროდადრო ინგლისი, პაპი და იტალიის სახელმწიფოები), წარმოებდა იტალიაზე ბატონობისა და ევროპაში ჰეგემონიისათვის. ი. ო. წამოიწყო *შარლ VIII-მ*, რ-მაც როგორც ანჟუელთა მემკვიდრემ, პრეტენზია გამოაცხადა ნეაპოლის სამეფოზე. 1495 თებ. შარლ VIII დაეუფლა ნეაპოლს. საფრ. გაძლიერებამ შეაშფოთა როგორც იტალ., ისე სხვა ევრ. სახელმწიფოები. ფრანგების გასაძევებლად 1495 მარტში შეიქმნა ე. წ. „წმინდა ლიგა", ანუ „ვენეციის ლიგა", ვენეციის, მილანის, რომის პაპის, იმპერატორ *მაქსიმილიან I-ისა* და *ფერდინანდ II არაგონელის* მონაწილეობით. 1496 დეკ. საფრანგეთი იძულებული იყო გაეყვანა გარნიზონთა ნარჩენები ნეაპოლის სამეფოდან.

ი. ო. განაახლა *ლუი XII-მ*. რამდენიმე გამარჯვების შემდეგ 1499—1500 იგი დაეუფლა მილანის საჰერცოგოსა და მთელ ლომბარდიას. 1501—02 საფრ. და ესპ. ჯარებმა დაიპყრეს ნეაპოლის სამეფო, მაგრამ მალე მათ შორის თანხმობა დაირღვა და მდ. გარილიანოსთან ბრძოლაში (1503 წ. 29 დეკ.) დამარცხების შემდეგ საფრანგეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა ნეაპოლის სამეფო, რ-საც ესპანეთი დაეუფლა (ბლუის ხელშეკრულება, 1504). ი. ო-ის შედეგად ვენეციის რესპუბლიკა გაძლიერდა. ამან ვენეციის წინააღმდეგ აამხედრა არა მარტო საფრანგეთი და ესპანეთი, არამედ იტალ. სახელმწიფოებიც. 1508 დეკ. პაპ იულიუს II-ის ინიციატივით შედგა ანტივენეციური, უ. წ. კამბრეს ლიგა, რ-შიც შევიდნენ პაპი, საფრანგეთი, ესპანეთი, „სალვთო რომის იმპერია", ფლორენცია, ფერარა, მანტუა და იტალ. ზოგიერთი სხვა სახელმწიფო. 1509 წ. 14 მაისს საფრანგეთმა ანიადელოსთან დიდი გამარჯვება მოიპოვა ვენეციაზე, ხოლო ივნისში იმპერატორმა დაიპყრო ქ-ები ვერონა და ვიჩენცა. მაგრამ ვენეცია შეუთანხმდა ესპანეთსა და პაპს და მიაღწია კამბრეს ლიგის დაშლას. ამავე დროს საფრ. გაძლიერებამ ჩრდ.-დას. იტალიაში გამოიწვია ძალთა გადაჯგუფება: პაპ იულიუს II-ის ხელმძღვანელობით საფრანგეთის წინააღმდეგ შეიქმნა ე. წ. „წმინდა ლიგა" (1511 ოქტ.), რ-შიც შევიდნენ პაპი, ვენეცია, ესპანეთი, ინგლისი და შვეიც. კანტონები; საფრანგეთს მიემხრნენ მოდენა და ფერარა, ფლორენციამ ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგებმა უკან დაახევინეს შვეიცარიელებს და აიღეს ბოლონია (1512 თებ.), ხოლო რავენასთან დაამარცხეს ესპანელები (1512 წ. 11 აპრ.), საფრანგეთი იძულებული გახდა 1512 განმავლობაში დაეტოვებინა ლომბარდია. 1513 დამლევს საფრანგეთი დაუზავდა ესპანეთს, ხოლო 1514 აგვ. — ინგლისს.

საფრ. *მეფემ ფრანსუა I-მა* ტახტზე ასვლისთანავე განაახლა ი. ო. ფრანგებმა ვენეციელების დახმარებით *ნარინიანოს ბრძოლაში* სასტიკად დაამარცხეს (1515 წ. 13—14 სექტ.) მილანის ჰერცოგის მიერ დაქირავებული შვეიცარიელები. საფრანგეთი დაეუფლა მილანსა და პავიას, ხოლო ვენეცია — ბერგამოსა და ბრეშას. ფრანსუა I დაუზავდა პაპს და დადო ე. წ. „მუდმივი ზავი" (1516 ნოემბ.) შვეიცარიის კანტონებთან. საფრანგეთ-ესპანეთს შორის დადებულმა ნუაიონის ზავმა (1516) დაამტკიცა საფრ. უფლებები მილანზე, ხოლო ესპანეთისა — ნეაპოლზე.

ესპ. მეფის *კარლოს I*-ის არჩევას „სალვთო რომის იმპერიის" იმპერატორად (*კარლ V*) მოჰყვა ი. ო-ის ახ. ეტაპი. კარლ V-მ თავისი ვეებერთელა ტერიტორიებით შემორკალა მთელი საფრანგეთი და დაემუქრა მის ტერიტ. მთლიანობას. 1521 განახლდა ი. ო. 1522 აპრ. ბიკოკთან ფრანგების არმია, რ-შიც დაქირავებული შვეიცარიელებიც შედიოდნენ, დამარცხდა. ფრანგები დამარცხდნენ პავიის ბრძოლაშიც (1525 წ. 24 თებ.), ფრანსუა I ესპანელებს ჩაუვარდა ტყვედ. მადრიდის ზავით (1526 წ. 14 იანვ.) იგი იძულებული გახდა დაეთმო ესპანეთისათვის მილანის საჰერცოგო და ფრანგ. სამფლობელო — ბურგუნის (ბურგუნდიის) საჰერცოგო, რ-ზედაც პრეტენზიას აცხადებდა კარლ V. მაგრამ განთავისუფლებისა და საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ფრანსუა I-მა გადათქვა თავისი პირობა და ომი განახლდა. საფრანგეთმა შეადგინა კონიაკის ლიგა (1526 მაისი), რ-შიც შევიდნენ: საფრანგეთი, პაპი *კლემენტ VII*, ვენეცია, ფლორენცია, მილანის ჰერცოგი. 1526 საფრანგეთმა იმპერიის წინააღმდეგ კავშირი შეკრა *სულეიმან II კანუნთან*. იმპერატორის დაქირავებულმა არმიამ 1527 მაისში აიღო და ააოხრა ქ. რომი, პაპი ტყვედ ჩავარდა და იძულებული გახდა იმპერატორთან სეპარატული ზავი დაედო. იტალ. მოკავშირეებს ჩამოცილებულმა საფრანგეთმაც ზავი დადო იმპერატორთან (კამბრეს ზავი, 1529 აგვ.), ნეაპოლის სამეფო გამოცხადდა ესპ. სამფლობელოდ.

1536 ი. ო. კვლავ განახლდა. იმპერატორმა დაიპყრო მილანი, საფრ. მეფემ — სავოია და პიემონტი. 1543 საფრ.-ოსმ. ესკადრამ აიღო ქ. ნიცა, ხოლო საფრ. სახმელეთო არმიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა ჩერეზოლესთან (1544 წ. 14 აპრ.). ამავე დროს იმპერატორისა და ინგლ. მეფის ჰენრი VIII-ის ჯარები შეიჭრნენ საფრ. მიწა-წყალზე. 1551 ი. ო. კვლავ განახლდა მოხუც კარლ V-სა და *ანრი II-ს* შორის. ფრანგებმა პიემონტში დაიპყრეს კასალე (1555 მარტი), კარლ V-ის გადადგომის შემდეგ (1556) ანრი II განაგრძობდა ბრძოლას *ფილიპე II-ის* წინააღმდეგ. 1557 საფრ. არმიამ ფრანსუა გიზის სარდლობით გაილაშქრა ნეაპოლზე, სამაგიეროდ ესპ. არმია ნიდერლანდიდან შეიჭრა ჩრდ. საფრანგეთში. სენ-კანტენთან ფრანგების მძიმე დამარცხებითა (1557 წ. 10 აგვ.) და პარიზისათვის შექმნილი მუქარით ესპანეთმა აიძულა ფრანგები შეეწყვიტათ ნეაპოლზე ლაშქრობა. ხანგრძლივმა ომმა ფინანსურად გამოფიტა მებრძოლი მხარეები და აიძულა დაედოთ *კატო-კამბრეზის ზავი* (1559 აპრ.), საფრანგეთი გაძევებულ იქნა იტალიიდან, რ-ის ჩრდ. და სამხრ. ნაწილში ხანგრძლივად გაბატონდა ესპანეთი. იტალია პოლიტიკურად დაქუცმაცებული დარჩა. *გ. ჟორდანია.*

იტელმენები, კამჩატკის ოლქის კორიაკთა ავტონომიური ოკრუგის ტიგილის რაიონში მცხოვრები ხალხი. რაოდ. 1,3 ათ. კაცი (1970, აღწერა). ლაპარაკობენ იტელმენურ და რუს. ენებზე. XVII ს. ბოლოს, როცა კამჩატკა რუსეთს შეუერთდა, ი. მთელ ნ.-კ-ზე სახლობდნენ. ცხოვრობდნენ პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში. მისდევდნენ თევზჭერას, ნადირობას, იყენებდნენ ნეოლითის ტიპის ქვისა და ძვლის იარაღს. XVIII ს. შუა წლებში რუსი მოსახლ. გავლენით დაიწყეს მებოსტნეობა და მესაქონლეობა. საბჭ. ხანაში ი-ის მეურნეობასა და კულტურაში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა, მოსახლ. უმრავლესობა დასაქმებულია კოლ-ბებში (თევზჭერა, ბეწვეულის რეწვა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა). შეიქმნა ეროვნ. ინტელიგენცია.

ლიტ.: Народы Сибири, М.—Л., 1956.

იტელმენური ენა (მოძველებული კამჩადალური ენა), პალეოაზიური ენების ჩუკოტკურ-კამჩატკურ ენათა ჯგუფის უმწერლობო ენა. გავრცელებულია კამჩატკის ოლქის კორიაკთა ნაციონალურ ოკრუგში. ლაპარაკობს 464 კაცი (1970, აღწერა). აგლუტინაციური ენაა, დასტურდება ინკორპორაცია. დამახასიათებელია სიტყვაში თანხმოვანთა თავმოყრა. წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია. ლექსიკაში ჭარბადაა ნასესხები სიტყვები.

იტერაცია (ლათ. iteratio — გამეორება) მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი, რომელიმე მათემატიკური ოპერაციის განმეორებითი გამოყენების შედეგი. მაგ., თუ $y=f(x)\equiv f_1(x)$ არის x-ის რომელიღაც ფუნქცია, მაშინ $f_2(x) = f[f_1(x)]$, $f_3(x) = f[f_2(x)], \ldots, f_n(x)=f[f_{n-1}(x)]$ ფუნქციებს შესაბამისად უწოდებენ $f(x)$ ფუნქციის მეორე, მესამე,..., n-ურ ი-ს. მაგ., თუ $f(x) = x^{\alpha}$, მაშინ $f_2(x) = (x^{\alpha})^{\alpha} = x^{\alpha^2}$, $f_3(x) = (x^{\alpha^2})^{\alpha} = x^{\alpha^3}, \ldots, f_n(x)=(x^{\alpha^{n-1}})^{\alpha}= x^{\alpha^n}$. n ინდექსს ეწოდება ი-ის მ ა ჩ ვ ე ნ ებ ე ლ ი, ხოლო $f(x)$ ფუნქციიდან $f_2(x)$, $f_3(x)$,... ფუნქციებზე გადასვლას— ი ტ ე რ ი რ ე ბ ა. ი-ით სარგებლობენ მაშინ, როცა სხვადასხვაგვარ განტოლებას ან განტოლებათა სისტემებს ხსნიან *მიმდევრობითი მიახლოების მეთოდით.*

იტერბიუმი [Ytterbium<დაბა. იტერბის (Ytterby) (შვეცია) სახელიდან] Yb, *ლანთანოიდების* ოჯახის ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 70, ატ. მასა 173,04, სიმკვრივე 6980 *კგ/მ*^{3}, $t_{\text{დნ}}$ 824°C. ი. მოვეცრცხლისფრო-თეთრი ლითონია.

ს. იტიკავა.

იტიკავა სიოიტი (20. III. 1892 — 15. III. 1945), იაპონიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე. დაამთავრა ვასედას უნ-ტის ლიტ. ფაკ-ტი (1916). იაპ. კომპარტიის (იკპ) წევრი 1922-იდან. იყო ჟურნ. „მუსან კაიკოუს" („ღარიბთა კლასი") რედაქტორი. 1923 დააპატიმრეს. 1928 კომინტერნის VI კონგრესზე, მოსკოვში, კომინტერნის აღმასკომის წევრად აირჩიეს. იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მეთაურობდა იკპ-ის ცკ-ს. 1929 აპრ. კვლავ დააპატიმრეს და 1931 მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. კომინტერნის VII კონგრესმა (1935) დაუსწრებლად აირჩია აღმასკომის წევრად. გარდაიცვალა საპატიმროში.

ს. იტონი.

იტიკავა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ტიბის პრეფექტურაში, ტოკიოს გარეუბანი. 304 ათ. მცხ. (1974). სატრანსპ. მანქანათმშ., საავიაციო, მეტალ., მატყლსართავი, ვვების მრეწველობა.

იტინომია, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, აიტის პრეფექტურაში. ნაგოიის ქალაქ-თანამგზავრი. 232 ათ. მცხ. (1973). საფეიქრო მრეწველობის ცენტრი. სამკერვალო და სამოლებრო ფ-კები. რეზინის ნაკეთობათა დამზადება.

იტიჯარა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ტოკიოს ყურის სანაპიროზე, ტიბის პრეფექტურაში. 161 ათ. მცხ. (1973). ელექტროტექ., ნავთობქიმ., მინის მრეწვ. საწარმოები.

იტონი (Eaton) საირუს (27. XII. 1883, პაგუოში, ახალი შოტლანდიის პროვ., კანადა, — 1979), აშშ-ის საზოგადო მოღვაწე, მრეწველი. 1905 დაამთავრა ტორონტოს მაკმასტერის უნ-ტი. 1913 აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ კლივლენდის ფინანს. ჯგუფის ერთ-ერთი გავლენიანი ხელმძღვანელი გახდა. 1950-იანი წწ. დასაწყისიდან მონაწილეობს ქვეყნის საზ. ცხოვრებაში. გამოდიოდა საერთაშ. დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამცველად. იყო ე. წ. *პაგუოშის კონფერენციების* მოწვევის ინიციატორი. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1960).

იტონის კოლეჯი, ინგლისის არისტოკრატ ვაჟთა სკოლა, პაბლიკ სქულზ-ის — დიდი ბრიტანეთის კერძო პრივილ. საშუალო სკოლის — კლასიკური ნიმუში. მეფე

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 268
II. სახელმწიფო წესწყობილება . .268
III. ბუნება . . . 268
IV. მოსახლეობა . 268
V. ისტორიული ნარკვევი . . . 269
VI. იუგოსლავიის კომუნისტების კავშირი. იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირი, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 270
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი 270
VIII. შეიარაღებული ძალები 271
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 271
X. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი . . 271
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია . . 272
XII. ლიტერატურა . 272
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება . 272
XIV. მუსიკა 272
XV. ბალეტი . . . 273
XVI. დრამატული თეატრი 273
XVII. კინო 273

ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ VI-ᲛᲘ დააარსა 1440. Ი. Კ-ის ამოცანაა მომავალი სახელმწ. და ხელმძღვანელი მოღვაწეებისათვის ზოგადი საშ. განათლების მიცემა; სწავლების კურსში დღესაც დიდი ადგილი ეთმობა კლასიკური ენების შესწავლას. Ი. Კ-ს წამყვანი როლი ეკუთვნის ოქსფორდის და კემბრიჯის უნ-ტების კონტინგენტის მომზადებაში. 1976 Ი. Კ-ში სწავლობდა 1180 მოსწავლე.

ᲘᲢᲠᲘᲐ, სოფელი ხაშურის რ-ნში (სურამის სადაბო საბჭო), მდ. სურამულის ხეობაში. ზ. დ. 760 *მ*, ხაშურიდან 6 *კმ*, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. სურამის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა)· საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფვრშლო პუნქტი.

ᲘᲢᲠᲘᲣᲛᲘ [Yttrium < დაბა. იტერბის (Ytterby) (შვეცია) სახელიდან], Y, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. ქიმ. ელემენტი. ატ. ნომერი 39, ატ. მასა 88,9059, ბუნებაში არსებობს ერთი სტაბილური იზოტოპის ^{89}Y სახით. Ი. სკანდიუმთან, ლანთანთან და *ლანთანოიდებთან* ერთად ქმნის ე. წ. *იშვიათ მიწათა ელემენტების* ჯგუფს. ამ ელემენტების ქიმ. თვისებები ერთმანეთის მსგავსია, ბუნებაშიც ერთად გვხვდებიან. Ი. მსუბუქი ლითონია (სიმკვრივე 4472 *კგ/მ*^{3}). Ი-ს იყენებენ კონსტრ. მასალად ბირთვულ ტექნიკაში. Ი-ის ჟანგისაგან Y_2O_3 ამზადებენ იტრიუმის ფერიტებს, რ-თაც იყენებენ რადიოელექტრონიკაში, გამოთვლითი ტექნიკაში, სასმენ ხელსაწყოებში და სხვ.

ᲘᲢᲠᲘᲣᲛᲘ, უდიდესი კუნძული კურილის კუნძულთა ჯგუფში (სამხრ. ნაწილში), რსფსრ სახალინის ოლქში. ფართ. 6725 *კმ*^{2}, სიგრძე 200 *კმ*, სიგანე 7—27 *კმ*. Ი-ზეა ქ. კურილსკი.

ᲘᲣᲐᲜᲘ, დაი იუანი (დიდი იუანი), მონღოლური დინასტია, რ-იც ბატონობდა მონღოლეთსა და ჩინეთში XIII—XIV სს-ში. ჩინ. დაპყრობას სათავე დაუდო ჩინგის-ხანმა, ხოლო მისი მემკვიდრის უგედეის დროს 1234-ისათვის მონღ. ფეოდალებმა დაიპყრეს მთელი ჩრდ. ჩინეთი. XIII ს. 50-იანი წწ. ბოლოს მონღ. ფეოდ. იმპერიის დაშლის შედეგად წარმოიშვა ხუბილაის (ტახტზე ავიდა 1260) სახელმწიფო. თავდაპირველად იგი მოიცავდა საკუთრივ მონღ. ტერიტორიას და ჩრდ. ჩინეთს. 1271 ხუბილაიმ ჩინგისიდების დინასტიას მისცა ჩინ. სახელწ. იუანი. 1279 ხუბილაის ჯარებმა დაასრულეს სამხრ. ჩინ. დაპყრობა. დამპყრობლების წინააღმდეგ ჩინ. ხალხის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად Ი-ის დინასტია დაემხო (1368).

ᲘᲣᲐᲜᲘ, ფულის ერთეული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, უდრის 10 ძიაოს (მაო), 100 ფინს. შემოღებულია 1955 მარტიდან. სსრკ სახ. ბანკის კურსით (1980 მაისი.) 100 Ი. — 41,09 მან.

ᲘᲣᲐᲜ ᲨᲘ-ᲙᲐᲘ (16 IX. 1859, სიანჩენის მაზრა, ხენანის პროვ.,—6. VI. 1916, პეკინი), ჩინეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. 1911 რევოლუციამდე ეკავა მაღალი ადმ. თანამდებობები. 1911 რევოლუციის შედეგად ცინების დინასტიის დამხობის (1912 წ. 12 თებ.) შემდეგ Ი. შ.-კ. შინაგანი რეაქციისა და უცხოეთის იმპერიალისტების მხარდაჭერით გახდა ჩინეთის პრეზიდენტი. შემდგომ დაამყარა სამხ. დიქტატურის რეჟიმი. 1915 მიიღო ჩინეთისათვის კაბალური იაპ. იმპერიალისტების „ოცდაერთი მოთხოვნა“.

ᲘᲣᲑᲐᲔᲐ (Jubaea), მერქნიან მცენარეთა გვარი პალმების ოჯახისა. მისი ერთადერთი სახეობაა J. spetabilis; 15 *მ*-მდე სიმაღლის ხეა. ღეროს წვერზე ფრთისებრ განკვეთილი და ოდნავ რკალივით მოხრილი ფოთლები სხედან (40 წელზე მეტი ხნის მცენარეს 60—100 ასეთი ფოთოლი აქვს). ნაყოფი იჭმება. თესლი 35%-მდე ზეთს შეიცავს. ფოთლებს ქოხების სახურავად იყენებენ; მისგან იღებენ აგრეთვე ბოჭკოს.

ღეროს გამონაჟონი ტკბილი წვნიდან ამზადებენ ბადაგს, ხდიან არაყს. Ი. გვხვდება სამხრ. ამერიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე; სსრკ-ში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, დეკორ. მცენარედ აშენებენ.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ [ლათ. jubilaeus < ძვ. ებრ. იობელ—საიუბილეო წელი (ყოველ 50 წელიწადში)] ანა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, დაწესებულების, ორგანიზაციის არსებობის, რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან მოვლენის წლისთავი, რ-საც საზეიმოდ აღნიშნავენ; ასეთი წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილი ზეიმი.

ᲘᲣᲓᲔᲜᲡᲢᲘᲚᲘ (გერმ. Jugendstil), გერმ. ხელოვნებათმცოდნეობაში მიღებული ტერმინი, რ-საც ჩვეულებრივ *„მოდერნის“* სტილის აღსანიშნავად იყენებდნენ. სახელწ. მიიღო ჟურნალ „იუგენდის“ მიხედვით, რ-იც 1896-იდან გამოდიოდა მიუნხენში (მხატვრული გაფორმება ო. ეკმანისა). Ი-მა შექმნა ახ. სახის ორნამენტიკა, რ-საც საფუძვლად დაედო აბსტრაჰირებული დეკორ. მოტივები. ცენტრები: მიუნხენი, დარმშტადტი, ვაიმარი, ვენა. წარმომადგენლები: ჰ. ვან დე ველდე, პ. ბერენსი, ო. ეკმანი. არქიტექტურაში იყენებდნენ ფასადებისა და შიგა სათავსების გასაფორმებლად. Ი. გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, რუსეთში, საქართველოსა და სხვ.

ᲘᲣᲓᲝᲠᲡᲙᲘ-ᲨᲐᲠᲘ, სრუტე კ. ვაიგაჩსა და ევროპის კონტინენტურ ნაპირს შორის. აერთებს ბარენცისა და კარის ზღვებს. სიგრძე 46 *კმ*, სიგანე 3—13 *კმ*. ზამთრობით იყინება.

ᲘᲣᲗᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, ᲘᲡᲤᲠ (Socijalistička Federativna Republika Jugoslavija, SFRJ).

I. ზოგადი ცნობები

Ი. — სახელმწიფო სამხრ. ევროპაში, ბალკ. ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. და ცენტრ. ნაწილში. ფართ. 255,8 ათ. *კმ*^{2}. მოსახლ. 21,9 მლნ. კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი—ბელგრადი. ოფიც. ენა — სერბულ-ხორვატული; სლოვენიაში — სლოვენური, მაკედონიაში — მაკედონური. Ი-ის მოსახლ. ყველა ენა თანასწორუფლებიანია. ეროვნ. დღესასწაულია 29 ნოემბ. — რესპუბლიკის დღე (1945). ფულის ერთეულია დინარი. სსრკ სახელმწ. ბანკის კურსის (1980 *მ*აისი) 100 დინარი = 3,23 მანეთს. Ი. 6 სოციალ. რესპუბლიკის — ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, მაკედონიის, სერბიის (მოიცავს ვოევოდინისა და კოსოვოს სოციალ. ავტონ. მხარეებს), სლოვენიის, ჩერნოგორიის, ხორვატიის ფედერაციაა.

II. სახელმწიფო წესწყობილება

Ი. სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკაა. მოქმედებს 1974 კონსტიტუცია. ფედერაციაში შემავალ თითოეულ რესპუბლიკასა და ავტონ. მხარეს აქვს თავისი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და ა. შ. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ისფრ-ის სკუპშჩინა, რ-იც შედგება 2 პალატისაგან: საკავშ. ვეჩესა და რესპუბლიკების და მხარეების ვეჩესაგან; საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სკუპშჩინას (შეაქვს ცვლილებები ისფრ-ის კონსტიტუციაში, იღებს საკავშ. კანონებს, ქმნის უმაღლეს ორგანოებს და სხვ.). ორივე პალატის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. სახელმწიფოს კოლექტ. მეთაურია ისფრ-ის პრეზიდიუმი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ისფრ-ის სკუპშჩინა ირჩევს პრეზიდენტს. იგი ხელმძღვანელობს სახელმწ. პრეზიდიუმსა და სახალხო თავდაცვის საბჭოს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის საკავშ. აღმასრ. ვეჩეს (მთავრობას). რესპუბლიკებში, ავტონ. მხარეებსა და თემებში უმაღლესი ხელისუფლებისა და საზ. თვითმმართველობის ორგანოებია სკუპშჩინები, რ-ებიც ირჩევენ თავიანთ აღმასრ. ორგანოებს (აღმასრ. ვეჩეს). ისფრ-ის სასამართლო სისტემის სათავეში დგას საკავშ. სასამართლო, რ-ის შემადგენლობაში შედის რესპ., სამხარეო, საოკრუგო, სათემო, სამ. და, აგრეთვე თვითმმართველობის სასამართლოები.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა — იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

III. ბუნება

Ი. უმთავრესად მთიანი ქვეყანაა. ჩრდ.-დას-ით ალპების შტოქედებია (იულიუსის ალპებშია Ი-ის უმაღლესი წერტილი — მთა ტრიგლავი, 2863 *მ*), მათ სამხრ-ით დინარის მთიანეთია (უჭირავს Ი-ის ტერიტ. 1/3-ზე მეტი), რ-იც შედგება ადრიატიკის სანაპიროს პარალელური, უმთავრესად კირქვებითა და მერგელებით აგებული საშ. სიმაღლის (1,5—2 ათ. *მ*) ქედებისაგან. აქ განვითარებულია რელიეფის კარსტული ფორმები. დას-ით მთიანეთი ციცაბოდ ეშვება ზღვისკენ. აქა-იქ ბირცვიანი დაბლობების პატარა მონაკვეთებია. ადრიატიკის ზღვის ნაპირი შეჭრილ-შემოჭრილია (სანაპირო ხაზის ფაქტიბრივი სიგრძეა 2092 *კმ*, სწორი ხაზით — 610 *კმ*). ნაპირის მახლობლად 1233 კუნძულია, აქედან 66 დასახლებულია, მათგან უდიდესია *კრკი*, ბრაჩი, ცრესი და სხვ. სანაპიროზე რამდენიმე მოხერხებული, კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელი (პულა, შიბენიკი, სპლიტი, კოტორი და სხვ.). ქვეყნის სამხრ. და ცენტრ. ნაწილი უჭირავს საშ. სიმაღლის კრისტ. ლოდა მაივებს, რ-ებიც დაყოფილია კოსოვოს, ლესკოვაცის, ნიშის, სკოპიესა და სხვ. ქვაბულებით. ჩრდ.-აღმ-ით შუა დუნაის ბრტყელი ვაკეა, რ-ზედაც 500—800 *მ* სიმაღლის მასივებია.

მთები მდიდარია მადნეული წიაღისეულით. დინარის მთიანეთში მოიპოვება ბოქსიტები, ქვაბულებში — მურა ნახშირი, შუა დუნაის ვაკეზე — ნავთობი და ბუნებრივი აირი.

ჰავა Ი-ის დიდ ნაწილში ზომიერად კონტინენტურია, სანაპიროზე — სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვისა, მთებში ადგილ. კლიმ. ნაირსახეობებია. იანვ. საშ. ტემპ-რა —3-იდან —9°C-მდე, ივლისისა 18-იდან 25°C-მდე. ნალექები 500-იდან 1500 *მმ*-მდე, მთებში 3000 *მმ*-მდე წელიწადში.

მდინარეთა 2/3-ზე მეტი, მ. შ. ტისა, სავა, დრინა, დრავა და მორავა განეკუთვნება დუნაის აუზს. ადრიატიკის ზღვას ერთვის მდ. ნერეტვა, ეგეოსის ზღვას — მდ. ვარდარი. Ი-ში 250-ზე მეტი ტბაა; უდიდესია — სკადარის, ოჰრიდისა და პრესპის ტბები.

ნიადაგები მრავალფეროვანია. შუა დუნაის ვაკეზე ჭარბობს შავმიწა ნიადაგი, მთაში — ტყის ყომრალი ნიადაგი, ზღვის სანაპიროზე — წითელმიწები.

Ი-ის მთელი ფართობის დაახლ. 34%, უმთავრესად მთაში, უჭირავს ტყეს (4/5 ფოთლოვანია, 1/5 — წიწვოვანი), ვაკეზე სტეპია, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე — მარადმწვანე სუბტროპ. ბუჩქნარი და ტყე.

ვაკისათვის დამახასიათებელია მღრღნელები (მემინდვრეა, თრია, კურდღელი), მთაში ბინადრობს ირემი, ქურციკი, გარეთხა. მდიდარია ფრინველთა სამყარო. ბევრია ქვეწარმავალი.

Ი-ში 14 ეროვნ. პარკი და 20 ნაკრძალია.

ლიტ.: Грациянский А. Н., Природа Средиземноморья. М., 1971.

IV. მოსახლეობა

(ბოსნიელები), მაკედონელები, ჩერნოგორიელები. ცხოვრობენ აგრეთვე ალბანელები, უნგრელები, თურქები, სლოვაკები, ბოშები და სხვ. მორწმუნე სერბები, მაკედონელები და ჩერნოგორიელები მართლმადიდებლები არიან, ხორვატები და სლოვენები — კათოლიკეები, ბოსნიელები—მუსლიმანები. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 85 კაცი 1 *კმ*² ზე (1978), ცალკეულ ინდუსტრ. რ-ნებში სიმჭიდროვე 100—120 კაცს აღწევს 1 *კმ*²-ზე. მოსახლ. დაახლ. 40% ქალაქში ცხოვრობს (II მსოფლიო ომამდე ქალაქში ცხოვრობდა მოსახლ. მხოლოდ 13%). უდიდესი ქალაქია ბელგრადი (1345 ათ. მცხ., გარეუბნებიანად, 1977).

V. ისტორიული ნარკვევი

Ი-ის ტერიტორიაზე ადამიანს პალეოლითის ეპოქაში უცხოვრია. დაახლ. ძვ. წ. 1800 აქ გაჩნდნენ ილირიული და თრაკიული ტომები. დაახლ. ძვ. წ. IV ს-ში Ი-ის შიგა რ-ნებში *კელტები* დასახლდნენ. ძვ. წ. IV ს-ში ადრიატიკის სანაპიროზე აღმოცენდა ძვ. ბერძნ. კოლონიები. ძვ. წ. III—ახ. წ. I სს-ში Ი-ის ტერიტ. რომმა დაიპყრო და შექმნა ილირიის, პანონიის, დალმაციისა და სხვ. პროვინციები. 395 Ი-ის ტერიტ. გაიყო აღმ. (ბიზანტიის) და დას. რომის იმპერიას შორის. *ხალხთა დიდი გადასახლების* დროს Ი-ის ტერიტორიაზე შეიჭრნენ *ვესტგუთები, ოსტგუთები*, გეპიდები, *ჰუნები* და *ლანგობარდები*. VI—VII სს-ში ბალკ. ნ.-კ-ზე განსახლდნენ სლავები (იხ. *სლავები* ძველი). VIII—IX სს-ში მათში გავრცელდა ქრისტიანობა. IX ს-ში შეიქმნა ხორვ. და სერბ. ადრინდ. ფეოდ. სახელმწიფოები. XI ს. დამდეგს Ი-ის ტერიტ. დიდი ნაწილი ბიზანტიამ დაიპყრო. XI ს-ში სახელმწ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცენტრი იყო სერბ. სამთავრო დუკლია (შემდეგ ეწოდებოდა ზეტა, XV ს-იდან — ჩერნოგორია). XI ს. დამლევს—XII ს. დამდეგს სლავონია, ხორვატია და დალმაცია უნგრ. მეფეებმა დაიპყრეს. XII ს. ბოლოს სტეფან ნემანიას სერბ. სახელმწიფოსა და ბოსნიის გამგებლის (ბანის) კულინის გაძლიერების შედეგად ბალკ. ნ.-კ-ზე ბოლო მოეღო ბიზანტ. ჰეგემონიას. XIII ს. დამლევიდან სლოვენიის მიწები მიიტაცეს ჰაბსბურგებმა (XVI ს. დამდეგიდან 1918-მდე სლოვენია ავსტრ. მონარქებს ემორჩილებოდა). განვითარდა ფაქტობრივად დამოუკიდებელი ქალაქ-რესპუბლიკები: დუბროვნიკი, კოტორი, ზადარი, სიბენიკი და სხვ. XIV ს-ში ბოსნია სამეფოდ გამოცხადდა. 1345 *სტეფან დუშანის* დროს სერბ. სახელმწიფო დიდ სამეფოდ გადაიქცა. 1389 კოსოვოს ველზე სერბ. და ბოსნიის გაერთ. ჯარების დამარცხების შემდეგ ოსმ. იმპერიამ მიიტაცა მაკედ. მიწები, XV ს. 50-იან წლებში — სერბია, 1463 — ბოსნია, 1482 — ჰერცეგოვინა, 1496 — ზეტა. ოსმალეთისათვის ხარკის გადახდის საფასურით დამოუკიდებლობა მხოლოდ დუბროვნიკის რესპუბლიკამ შეინარჩუნა (1808-მდე). XVI ს. დამლევისათვის ოსმ. იმპერიამ მიიტაცა ხორვ. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი. XV ს. დამლევს — XVI ს-ში ანტიფეოდ. მოძრაობამ მოიცვა ჰაბსბურგთა სამფლობელოები ხორვატიასა და სლოვენიაში. XVII ს-ში სამხრეთ-სლავურ მხარეებში დაიწყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობები. 1796 ჩერნოგორიამ ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. სერბ. პირველმა აჯანყებამ (1804—13), რ-საც კარაგეორგიევიჩი ხელმძღვანელობდა, სათავე დაუდო სამხრ. სლავების განთავისუფლებას ოსმალთა ბატონობისაგან. სერბ. მეორე აჯანყებამ (1815), რ-საც მილოშ ობრენოვიჩი ხელმძღვანელობდა, შედეგად მოჰყვა სერბ. ავტონ. სამთავროს (სულთნის სიუზერენობით) შექმნა. სლოვენების ეროვნ. თვითშეგნების განვითარებას ხელი შეუწყო 1809 საფრ. ვასალური *ილირიის პროვინციების* შექმნამ. XIX ს. 30—40-იან წლებში ხორვატიაში დაიწყო ეროვნ. მოძრაობა (იხ. *ილირიზმი*). XIX ს-ში სამხრეთსლავ. მხარეებში, განსაკუთრებით ჰერცეგოვინაში, გაძლიერდა ანტიფეოდ. გამოსვლები. ჰაბსბურგთა იმპერიაში ფეოდალიზმის საფუძვლების ლიკვიდაციასთან ერთად (1848—49 რევოლუციური გამოსვლების შედეგად) სამხრეთსლავ. მხარეებში გაძლიერდა კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარება. 1878 ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით სერბიამ და ჩერნოგორიამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მნიშვნელოვნად გაიფართოვეს ტერიტორიები. იმავე წელს ბოსნია და ჰერცეგოვინა დაიპყრო ავსტრია-უნგრეთმა. XIX ს. დამლევს სლოვენიასა და ხორვატიაში, მოგვიანებით სერბიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ჩამოყალიბდა სავაჭრო-სამრეწვ. ბურჟუაზია და პროლეტარიატი. შეიქმნა ს.-დ. პარტიები. XIX—XX სს. მიჯნაზე მიმდინარეობდა სამხრეთ-სლავური ერების ჩამოყალიბების პროცესი. რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატები მოითხოვდნენ თანასწორუფლებიანი ხალხების — სამხრეთსლავური დემოკრ. რესპუბლიკების ფედერაციის შექმნას.

XX ს. დამდეგს გამწვავდა ევრ. ქვეყნების (განსაკუთრებით გერმ. და ავსტრია-უნგრ.) ბრძოლა ბალკ. ნ.-კ-თვის. *ბალკანეთის ომებმა 1912—13* ავსტრია-უნგრ. სამხრეთსლავ. ხალხების ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია. ამ მოძრაობის ჩასახშობად გამოიყენეს სარაევოში (1914 წ. 28 ივნ.) ავსტრ. ტახტის მემკვიდრის ფრანც ფერდინანდის მკვლელობის ფაქტი. 1914 წ. 28 ივლ. ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოუცხადა სერბიას, რაც I მსოფლიო ომის (1914—18) დასაწყისი გახდა. 1915 შემოდგომაზე ავსტრია-უნგრ. ჯარებმა (გერმ. და ბულგ. ჯარებთან ერთად) დაიკავეს სერბია. ხოლო 1916 იანვ.-თებ. ჩერნოგორია (ოკუპანტებისაგან განთავისუფლდა 1918 შემოდგომაზე). რუსეთში დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით 1918 გაძლიერდა სამხრეთსლავ. ხალხების რევ. და განმათ. მოძრაობა. 1918 წ. 1 დეკ. ბელგრადში გამოცხადდა სერბ., ჩერნოგორიისა და სამხრეთსლავ. ოლქების გაერთიანება ერთიან სერბების, ხორვატებისა და სლოვენების (სხს) სამეფოდ კარაგეორგიევიჩების დინასტიის მეთაურობით. 1919 აპრ. ბელგრადში ჩატარდა Ი-ის სოციალ. მუშათა პარტიის (კომუნისტების) გამაერთიანებელი ყრილობა. II ყრილობაზე (1920 ივნ.) ამ პარტიას ეწოდა იუგოსლავიის კომუნისტური პარტია (იკპ). 1920 დეკ. მთავრობამ იკპ ფაქტობრივ კანონგარეშე გამოაცხადა. 1920—21 ორმხრივი შეთანხმებებით სხს-ის სამეფომ, რუმინეთმა და ჩეხოსლოვაკიამ შეკრეს სამხ.-პოლიტ ბლოკი (მცირე ანტანტა). 1919—29 ქვეყანაში გამოიცვალა 29 მთავრობა. 1929 წ. 6 იანვ. მეფე ალექსანდრემ მოახდინა სახელმწ. გადატრიალება და დაამყარა სამხ.-მონარქიული დიქტატურა. 1929 ოქტ.-ში სხს-ის სამეფოს ეწოდა Ი-ის სამეფო. 1934 თებში Ი-მ საბერძნეთთან, რუმინეთთან და თურქეთთან ერთად შექმნა ბალკანეთის პაქტი (ბალკ. ანტანტა). 1935—36 Ი-ში გაფართოვდა საგაფიცვო ბრძოლა. გაზარდა იკპ-ის გავლენა მუშათა მოძრაობაში. 1937 დამლევს იკპ-ის ახ. ხელმძღვანელობამ ი. ბროზ *ტიტოს* მეთაურობით ორგანიზაციულად განამტკიცა პარტია.

II მსოფლიო ომის დასაწყისში Ი-მ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. 1940 ივნისში Ი-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრკ-თან. 1941 წ. 28 მარტს პრემიერ-მინისტრმა დ. ცვეტკოვიჩმა ვენაში ხელი მოაწერა ბერლინის პაქტთან Ი-ის მიმხრობის ოქმს. 1941 წ. 27 მარტს სამხ. შეთქმულთა ჯგუფმა სახელმწ. გადატრიალება მოაწყო. სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა გენ. დ. სიმოვიჩის მთავრობა. 1941 წ. 5 აპრ. მოსკოვში ხელი მოაწერეს სსრკ-სა და Ი-ს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას. 1941 წ 6 აპრ. ფაშისტური ჯარები თავს დაესხნენ Ი-ს (17 აპრ. Ი. მთლიანად იყო ოკუპირებული). მთავრობამ და მეფე პეტრე II-მ დატოვეს ქვეყანა. 10 აპრ. ჰიტლერელებმა ზაგრებში გამოაცხადეს „ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნა, რ-საც სათავეში ჩაუყენეს *უსტაშები* ა. პაველიჩის მეთაურობით. Ი-ის ტერიტ. გაიყო გერმ. და იტალ. საოკუპაციო ზონებად; ჰორტისტულ უნგრეთს გადაეცა ვოევოდინის ნაწილი, მონარქიულ-ფაშისტურ ბულგარეთს — თითქმის მთელი ვარდარის მაკედონია და სერბ. სასაზღვრო რ-ნების ნაწილი. 1941 წ. 4 ივლ. იკპ ცკ-ის პოლიტბიურომ მიიღო საერთო-სახალხო შეიარაღებული აჯანყების დაწყების გადაწყვეტილება. 1941 ივლისში შეიარაღებულმა ბრძოლამ მოიცვა სერბია, ჩერნოგორია, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ოქტ-ში — ვარდარის მაკედონია. 1941 წ. 22 დეკ. შეიქმნა I პროლეტ. ბრიგადა, რაც Ი-ის სახ.-განმათ. არმიის (ისგა, 1945 მარტიდან — იუგოსლ. არმია, შემდეგ — იუგოსლ. სახ. არმია) შექმნის მაუწყებელი იყო. 1942 წ. 26—27 ნოემბ. ქ. ბიხაჩში შედგა საერთაიუგოსლ. პოლიტ. ორგანოს — იუგოსლ. სახ. განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩის (ისგავ) I სესია. II სესიაზე (1943 წ. 29—30 ნოემბ., ქ. იაიცე) ისგავ დაკანონდა, როგორც Ი-ის უმაღლესი საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანო. ისგავ-ის მიერ ჩამოყალიბებული (როგორც ახ. Ი-ის დროებითი მთავრობა) Ი-ის განთავისუფლების ეროვნ. კომიტეტი ი. ბროზ ტიტოს მეთაურობით სახ. ხელისუფლების პირველი უმაღლესი აღმასრ. ორგანო იყო. განმათ. მოძრაობის განვითარების ყველა ეტაპზე სსრკ Ი-ს უწევდა მორალურ და პოლიტ.-დიპლ., აგრეთვე მატერ. და სამხ. დახმარებას. 1944 დამლევს საბჭ. ჯარებისა და ისგავ ნაწილების ერთობლივი მოქმედებით გერმ. ჯარებისაგან გაათავისუფლეს Ი-ის მთელი რიგი რ-ნები, 20 ოქტ-კი — ბელგრადი. 1945 წ. 7 მარტს შეიქმნა დემოკრ. ფედერაციული Ი-ის დროებითი მთავრობა ი. ბროზ ტიტოს მეთაურობით. 1945 წ. 11 აპრ. მოსკოვში სსრკ-სა და Ი-ს შორის დაიდო მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება. 14 მაისისათვის Ი-ის არმიამ (დაახლ. 800 ათ. კაცი) საბოლოოდ გაათავისუფლა Ი. ფაშისტური ჯარებისა და მათი დამქაშებისაგან. ომის მსვლელობაში Ი-მ მძიმე დანაკლისი განიცადა; დაიღუპა 1,7 მლნ. კაცი (ქვეყნის მოსახლ. 10%-ზე მეტი), მ. შ. ბრძოლის ველზე 305 ათ. კაცი.

1945 აგვ. ისგავ-ს III სესიამ კანონი მიიღო აგრ. რეფორმის, წიალისეული სიმდიდრის ნაციონალიზაციის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების თავისუფლებისა და სხვ. შესახებ. ისგავ-ს ეწოდა დროებითი სახ. სკუპშჩინა. დამფუძნებელი სკუპშჩინის არჩევნებში (1945 ნოემბ.) Ი-ის სახ. ფრონტმა (ისფ; დაარსდა ომის წლებში სახ.-განმათ. ფრონტის სახელით), რ-საც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, მიიღო ყველა 524 ადგილი. 1945 წ. 29 ნოემბ. დამფუძნებელმა სკუპშჩინამ მიიღო დეკლარაცია მონარქიის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ და Ი. ფედერ. სახ. რესპუბლიკად (იფსრ) გამოაცხადა. იფსრ-ის კონსტიტუცია (1946 წ. 31 იანვ.) ცნობდა და უზრუნველყოფდა Ი-ის ხალხებისა და მისი რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობას სახელმწ. ორგანიზაციის ფედერ. პრინციპზე, აცხადებდა საზ. საკუთრების უპირატესობას, აკანონებდა პრინციპს „მიწა მისია, ვინც მას ამუშავებს“ (ეს პრინციპი დაედო საფუძვლად აგრ. რეფორმას, რ-მაც მოსპო მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა). ჯერ კიდევ 1945 მარტში ფაქტობრივად შემოიღეს საგარეო ვაჭრობის მონოპოლია, ხოლო აგვ-ში გაუქმდა

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმება

(8890 ათ. კაცი, 1971)

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და თევზჭერა	44%
მრეწველობა, მშენებლობა და ხელოსნობა	27%
სხვა სფერო	29%

დიდი ქალაქები

ზაგრები
სკოპიე
სარაევო
ლიუბლიანა
სპლიტი



იუგოსლავია. ნავთობსახდელი ქარხანა მოდრიჩაში.

უცხ. კონცესიები და მთელი წიალისეულიბ ხალხის კუთვნილებად გამოცხადდა. მრეწვ. ნაციონალიზაციის (1946 დეკ. და 1948 აპრ. კანონები) შედეგად წარმოების ძირითადი საშუალებანი ხალხის საკუთრება გახდა. სახელმწ. სექტორმა წამყვანი პოზიციები დაიკავა სახ. მეურნეობაში, რითაც საფუძველი ჩაეყარა ი-ში სოციალიზმის აშენებას. 1947 აპრილში მიიღეს I ხუთწლიანი გეგმა (1947—51). იკპ-ის V ყრილობამ (1948 ივლ.) მიიღო იკპ-ის ახ. წესდება და პროგრამა, მთავარ მიზნად სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლა დაისახა. იკპ ცკ-ის II პლენუმმა (1949 იანვ.) შეიმუშავა „დაჩქარებული ტემპებით" გლეხური შრომითი კოოპერატივების შექმნის კურსი (1950-იდან მთავარი აქცენტი გადატანილი იყო საერთო ტიპის სამიწათმოქმედო კოოპერატივების განვითარებაზე).

1948—49 შეწყდა სკკპ-სა და სხვა კომპარტიების ურთიერთობა იკპ-თან, სსრკ-ისა და სხვა სოციალ. ქვეყნების სახელმწ. ურთიერთობა ი-თან. 1949—53 ინტენსიურად ვითარდებოდა ი-ის ურთიერთობა კაპიტალ. სახელმწიფოებთან (1951 წ. 14 ნოემბ. ხელი მოაწერეს იფსრ-ისა და აშშ-ის ხელშეკრულებას სამხ. დახმარების შესახებ).

1950—56 ი-ში ჩამოყალიბდა სახ. მეურნ. მართვის სისტემა, რ-ის განმასხვავებელი ნიშანი იყო ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაცია, საწარმოებისათვის მნიშვნელოვანი ოპერატ. დამოუკიდებლობის მინიჭება, ეკონომიკაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უფრო ფართოდ (ვიდრე 1950-მდე) დაშვების პირობებში. 1950 ივნ. მიიღეს „ძირითადი კანონი შრომითი კოლექტივების მიერ სახელმწიფო სამეურნეო საწარმოებისა და უმაღლესი სამეურნეო გაერთიანებების მართვის შესახებ". საერთო სახელმწ. დაგეგმვის ამოცანები იზღუდებოდა (1951 წ. 29 დეკ. კანონი) სახ. მეურნ. დარგების წინა წლის შედეგების შეფასების მიხედვით, სახ. მეურნ. დარგების განვითარების პროპორციების დადგენით. გატარდა ღონისძიებათა კომპლექსი რესპ. და ადგილ. მმართველობის ორგანოებისათვის ცენტრ. სახელმწ. ორგანოების რწმუნებათა ნაწილობრივი გადაცემის მიზნით. ცვლილებები შეეხო აგრეთვე პარტიისა და საზ. ორგანიზაციების მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებს, რაც აისახა იკპ-ის VI ყრილობის (1952 ნოემბ.) გადაწყვეტილებებში. იკპ-ს ეწოდა ი-ის კომუნისტების კავშირი (იკკ). ახ. ამოცანები დაისახა ისფ-ის წინაშეც. 1953 თებ. მას ი-ის მშრომელი ხალხის სოციალ. კავშირი (იმხსკ) ეწოდა. იკკ ცკ-ის III პლენუმმა (1954 იანვ.) გამოაცხადა, რომ საჭიროა ებრძოლონ ანტისოციალ. მისწრაფებებს, რ-იც მიზნად ისახავს იკკ-ის წამყვანი როლისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ლიკვიდაციას, ესწრაფვის მრავალპარტ. სისტემის შემოღებას.

ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად (1955 მაის-ივნისში ბელგრადში, 1956 ივნისში მოსკოვში) მიღებულ იქნა სსრკ-ისა და ი-ის მთავრობების ბელგრადის დეკლარაცია (1955 წ. 2 ივნ.) და მოსკ. დეკლარაცია სკკპ-ისა და იკკ-ის ურთიერთობის შესახებ (1956 წ. 20 ივნ.), რ-ებმაც დიდი როლი შეასრულა სსრკ-ისა და ი-ის, სკკპ-ისა და იკკ-ის ურთიერთობის მოწესრიგებასა და თანამშრომლობის განვითარებაში. დაიწყო ი-ის ურთიერთობათა თანდათანობითი აღდგენა სხვა სოციალ. სახელმწიფოებთან.

1956—57 საკავშირო სახ. სკუპშჩინამ მიიღო ზომები სახ. მეურნ. მართვაში ცენტრ. საკავშ. ორგანოების როლის განსამტკიცებლად. პარტ. და სახელმწ. მშენებლობის ჩამოყალიბებული ფორმები და მეთოდები, თვითმმართველობაზე დაფუძნებული საზ.-პოლიტ. და ეკონ. სისტემის შემღგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები აისახა იკკ-ის VII ყრილობის (1958 აპრ.) გადაწყვეტილებებსა და ყრილობის მიერ მიღებული იკკ-ის ახ. პროგრამაში. სოციალ. განვითარების შედეგები, ი-ის საზ-ბის პოლიტ. ორგანიზაციის ჩამოყალიბებული სტრუქტურა დაკანონდა კონსტიტუციით (1963 აპრ.). ი-ს ეწოდა სოციალ. ფედერ. რესპუბლიკა (ისფრ). იკკ-ის VIII ყრილობამ (1964 დეკ.) დასახა ფართო ღონისძიებების ძირითადი პრინციპები, რ-საც საზ.-ეკონ. რეფორმა ეწოდა. იკკ-ის IX ყრილობაზე (1969 მარტი) მიღებულ ახ. წესდებაში იკკ-ის ისტ. ამოცანად და საბოლოო მიზნად დასახულია კომუნისტური საზ-ბის შექმნა.

60-იანი წწ. დამლეგს — 70-იანი წწ. დამდეგს პოლიტ. მდგომარეობა ი-ში გართულდა; სხვადასხვა ანტიმარქსისტული შეხედულებები იკკ-ის წევრებშიც კი გავრცელდა. ი-ში და იკკ-ში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იკკ-ის პრეზიდიუმის XXI სხდომის (1971 დეკ.) გადაწყვეტილებებს. იკკ-ის II კონფერენციამ მოიწონა „მოქმედებათა პროგრამა", რ-შიც დასახული იყო იკკ-ის იდეურ-პოლიტ. და ორგანიზაციული განმტკიცება დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე, მისი წამყვანი როლის გაძლიერება. 1972 სექტ-ში ყველა პარტ. ორგანიზაციას გაეგზავნა იკკ-ის თავ-რის ი. ბროზ ტიტოსა და იკკ-ის პრეზიდიუმის ალმასრ. ბიუროს წერილი. პარტიამ მიიღო სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებებით განპირობებული მთელი რიგი ღონისძიებანი, რ-ებიც ითვალისწინებდნენ ისფრ-ის განვითარების სპეციფ. ეროვნ.-ისტ. პირობებს. ისფრ-ის ახ. კონსტიტუციამ (1974 თებ.) გაამტკიცა თვითმმართველობის საფუძვლებზე დაფუძნებული სოციალ. მშენებლობის თანამედროვე ფაზა. თვითმმართველობის სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებებია იკკ-ის მეთაურობით საზ-ბის ყველა ორგანიზებული ძალის მდგომარეობის როლისა და პასუხისმგებლობის ზუსტად განსაზღვრა, სახ. წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებისას დელეგატობის პრინციპის შემოღება, გაერთ. შრომის ორგანიზაციების, როგორც საზ. ურთიერთობათა სისტემის, პირველადი უჯრედების შექმნა (1976 ნოემბ. მიიღეს კანონი „გაერთიანებული შრომის შესახებ"). ახ. კონსტ. შესაბამისად, 1974 წ. 16 მაისს ი. ბროზ ტიტო აირჩიეს ისფრ-ის პრეზიდენტად განუსაზღვრელი ვადით. იკკ-ის X ყრილობამ (1974 მაისი) უპირველეს ამოცანად წამოაყენა იკკ-ის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის, იდეურ-პოლიტ. როლის გაძლიერება, დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე მისი ორგანიზაციული განმტკიცება. ყრილობაზე ი. ბროზ ტიტო აირჩიეს იკკ-ის თავ-რედ განუსაზღვრელი ვადით. 1975 წ. 16 ივლ. ი-ის სკუპშჩინამ დაამტკიცა „ისფრ-ის გრძელვადიანი—1985 წლამდე განვითარების ერთობლივი პოლიტიკის საფუძვლები", 1976 წ. 20 ივლ. კი — 1976—80 საზ. განვითარების გეგმა. ი-ის საგარეო პოლიტიკაში იკკ-ის X ყრილობამ განამტკიცა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მიუმხრობლობის ხაზი. იკკ-ის XI ყრილობამ (1978 ივნ.) დიდი ყურადღება დაუთმო პარტიის წამყვანი როლის გაძლიერებას, მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები და დამატებანი იკკ-ის წესდებაში. 1977 ი-ის საგარეო ვაჭრობაში კაპიტალ. ქვეყნების წილი შეადგენდა 56%-ს. 1969 ოქტ-ში დაარსდა ი-ში კაპიტალდაბანდებათა საერთაშ. კორპორაცია (იუგოსლ., დას. ევრ., ამერ., იაპ. ბანკები და საერთაშ. ფინანს. კორპორაცია). 1970-იდან ი. ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს ევრ. ეკონ. გაერთიანებასთან (ეეგ). 1964 სექტ-იდან თანამშრომლობს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოსთან (ეუს). ეუს ქვეყნების წილი ი-ის საგარეო ვაჭრობაში 1977 შეადგენდა დაახლ. 30%. 1974 ხელი მოაწერეს შეთანხმებას ისფრ-სა და ეუს წევრი ქვეყნების საერთაშ. საინვესტიციო ბანკს შორის თანამშრომლობის პრინციპების შესახებ; ი-ის საბანკო ორგანიზაციებმა დაამყარეს კონტაქტები ეკონ. თანამშრომლობის საერთ შ. ბანკთან. საზღვარგარეთის ქვეყნებთან ი-ის სავაჭრო ბრუნვაში პირველ ადგილზე სსრკ გამოვიდა (მასზე მოდის მთელი ვაჭრობის 15%). ი-სა და სსრკ-სა და სკკპ-სა და იკკ-ს შორის ურთიერთობის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტებმა ი-ში (19621966, 1971, 1976) და ი. ბროზ ტიტოს ვიზიტებმა სსრკ-ში (1956, 1962, 1965, 1972, 1973 1977, 1979). 1977 ი-ს დიპლ. და საკონსულო ურთიერთობები ჰქონდა 116 სახელმწიფოსთან.

ლიტ.: Гиренко Ю. С., Советский Союз—Югославия: Традиционная дружба, всестороннее сотрудничество, М. 1975; История Югославии, т. 1—2, М., 1963; Писарев Ю. А., Образование Югославского государства, М., 1975; Социалистическая Федеративная Республика Югославия, М., 1975.

VI. იუგოსლავიის კომუნისტების კავშირი, იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირი, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ი-ის **კომუნისტების კავშირი** (იკკ; Savez Komunista Jugoslavije — SKJ), დაარსდა 1919 აპრილში და ეწოდებოდა ი-ის სოციალ. მუშაოა პარტია (კომუნისტებისა), 1920 ივნისიდან ეწოდებოდა ი-ის კომპარტია, 1952 ნოემბრიდან — იკკ; აერთიანებს 1,6 მლნ. კაცს (1978). ი-ის **მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირი** (იმხსკ; Socijalistički savez radnog naroda Jugoslavije — SSRNJ), მასობრივი საზ.-პოლიტ. ორგანიზაცია. შეიქმნა სახ.-განმათ. ფრონტის (დაარსდა 1941—45 სახ.-განმათ. ომის დროს) ბაზაზე; 1945 აგვ-დან ეწოდებოდა ი-ის სახ. ფრონტი, 1953 თებ-იდან იმხსკ. აერთიანებს 8,6 მლნ. კაცს (1977).

ი-ის **პროფკავშირების კავშირი** (იპკ; Savez Sindikata Jugoslavije — SSJ), დაარსდა 1945. აერთიანებს 6 დარგობრივ პროფკავშირს, დაახლ. 4,5 მლნ. კაცს (1977). ი-ის **სოციალ. ახალგაზრდობის კავშირი** (ისაკ), სტუდენტებისა და მთელი რიგი სპეციალიზებული ახალგაზრდული ორგანიზაციების კავშირი. აერთიანებს 3,5 მლნ-ზე მეტ კაცს (1977). ი-ის **სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ვეტერანების გაერთიანებათა კავშირი**, დაარსდა 1946. აერთიანებს 1 მლნ-მდე კაცს (1977). **მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და ხალხთა თანასწორუფლებიანობის** ი-ის **ლიგა**, შეიქმნა 1949.

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. სოციალ. განვითარების წლებში ი. ჩამორჩენილი აგრ. ქვეყნიდან ინდუსტრ.-აგრ. ქვეყნად გადაიქცა. სოციალ. სექტორის ხვ. წ. მრეწველობაში თითქმის 100%-ს აღწევს, სოფ. მეურნეობაში კი სოციალ. სექტორის წილად მოდის დამუშავებული მიწის 15% და სასაქონლო პროდუქციის დაახლ. ნახევარი. სახ. ხელისუფლების წლებში 1977-თვის სამრეწვ. წარმოება გაიზარდა დაახლ. 15-ჯერ, სას.-სამ. წარმოება—ორ-ჯერ და უფრო მეტად. ი-ის მეურნეობას ჯერ კიდევ არ შეუძლია სამუშაოთი უზრუნველყოს მთელი ეკონომიკურად აქტ. მოსახლეობა (დაახლ. 800 ათ. იუგოსლ. დროებით მუშაობს საზღვარგარეთ, მ. შ. დაახლ. ნახევარი—გფრ-ში, 1978). ი-ის ადგილს შრომის საერთაშ. დანაწილებაში განსაზღვრავს

ᲛᲘᲠᲕᲔᲚ რიგში მისი სამთამადნო მრეწვ. და ფერადი მეტალურგია, ხე-ტყის მრეწვ., მანქანათმშ. მთელი რიგი დარგებისა (გემთმშენებლობა, ენერგეტ. მოწყობილობა), აგრეთვე ზოგიერთი სახეობის სას.-სამ. ზორცის პროდუქტები, ხილი, თამბაქო) პროდუქცია.

მრეწველობა. ომამდელ Ო-ში წამყვანი ადგილი ეჭირა კვებისა და მსუბუქ (კერძოდ ტაფეიქრო) მრეწველობას, სახ. ხელი უფლების წლებში კი განვითარდა მძიმე მრეწვ., რ-იც მრეწვ. პროდუქციის მთლიანი ღირებულების 60%-ზე მეტს იძლევა. Ო-ის ენერგეტიკა ძირითადად ემყარება ლიგნიტისა და მურა ნახშირის მარაგსა და ციდ ჰიდრორესურსებს. ლიგნიტსა და მურა ნახშირს იღებენ უმთავრესად ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სერბიაში, სლოვენიაში. მურა ნახშირის აუზებში აშენებულია ელესები. ნავთობის დიდი ნაწილი შეაქვთ სრკ-იდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. გამოყენებულია მდინარეთა ჰიდროენერგეტ. პოტენციალის დაახლ. ნახევარი. თელი ელექტროენერგიის დაახლ. 3/5-ს აძლევა სლოვენიის, ხორვატიის, ბოსნიასა და ჰერცეგოვინის, სერბიის ჰესები.

მეტალურგია ემყარება საკუთარ ბაზას — ბოსნიის რკინის (ვარეშისა და ლიბიის მაღაროები), სერბიის სპილენძისა და ტყვია-თუთიის მადნებს, დინარის მთიანეთის ბოქსიტებს. 1978 დაამზადეს 3,4 მლნ. ტ ფოლადი, 150,8 ათ. ტ სპილენძი, 16,7 ათ. ტ ტყვია, 92,2 ათ. ტ თუთია, 95,7 ათ. ტ ალუმინი.

მანქანათმშ., რ-იც ომამდე ფაქტობრივად არ არსებობდა, ამჟამად წამყვანი დარგი გახდა (მანქანათმშენებლობაში დასაქმებულია მთელ მრეწველობაში დასაქმებულთა დაახლ. 27%, 1975). იგი აკმაყოფილებს მანქანა-მოწყობილობაზე ქვეყნის მოთხოვნილების ნახევარზე მეტს. განლაგებულია სატრანსპ., ენერგეტ., სას.-სამ. მანქანათმშ., ჩარხთმშენებლობა. მთავარი მანქანათსაშ. ცენტრებია ბელგრადი, ზაგრები, ლიუბლიანა, მარიბორი, ოიკა, სპლიტი.

სწრაფად ვითარდება ქიმ. მრეწვ., რ-იც ქვეყნების ადგილ. ნედლეულს. ახ. დარგებს შორის გამოირჩევა ნავთობქიმია და პოლიქიმია. მთავარი ცენტრები განლაგებულია სლოვენიაში, სერბიაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში და ადრიატიკის სანაპიროზე.

დიდ როლს ასრულებს ხე-ტყისა და ხის დამუშ. მრეწვ., რ-იც უმთავრესად თავმოყრილია ტყით უფრო მდიდარ რესპუბლიკებში (ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სლოვენიასა და ხორვატიაში). პროდუქციის ნაწილი საექსპორტოა.

მნიშვნელოვნადაა განვითარებული საეიქრო (უმთავრესად ბამბისა და შალის ბოჭოილების წარმოება) და კვების (საფქვილი, ზეთსახდელი, შაქრის, საკონსერვო, ამბაქოს) მრეწვ., რ-იც განლაგებულია ძირითადად ქვეყნის ჩრდ. და ჩრდ.-დას. ნაწილებში.

დამუშავებითი მრეწვ. მნიშვნელოვანი დარგები თავმოყრილია უმთავრესად ქვეყნის ჩრდ. ნაწილში, მაშინ, როდესაც საკუთარი ნედლეულისა და ენერგეტ. ბაზის ძირითადი ცენტრ. და სამხრ. რ-ნები შედარებით ჩამორჩენილია. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ ... ცხრ. 1.

სოფლის მეურნეობა. სოფ. მეურნეობაში ჭარბობს წვრილი გლეხური წარმოება (2,6 მლნ. გლეხური მეურნ. ფლობს 4 მლნ. ჰა მიწას, ანუ დამუშავებული მიწის 85%-ს). სოციალ. სექტორში დიდი, ფავალდადგენილი სოციალ. მეურნეობები. სას.-სამ. მამულები, აგროკომბინატები, აგრეთვე კოოპერატივები, ძირითადი სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 30%-ს და სასაქონლო პროდუქციის 47%-ს (1978). კოოპერატივების ფართოდ გავრცელებული ტიპია საერთო ტიპის კოოპერატივი, რ-იც მოიცავს დაახლ. 2 მლნ. გლეხურ მეურნეობას და უმთავრესად მომარაგება-გასაღების ფუნქციას ასრულებს. 1977 სოფ. მეურნეობაში იყო 260,8 ათ. ტრაქტორი (მ. შ. 25,8 ათ.—სოციალ. სექტორში), 10,9 ათ. კომბაინი, 4,1 ათ. სატვირთო ავტომობილი. Ო-ის საერთო ფართობის დაახლ. 1/3 მუშავდება. მთებში ვრცელი საძოვრები და მდელოებია, რ-ებსაც ქვეყნის ტერიტ. 1/4 უჭირავს. სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის 3/5-ს იძლევა მემცენარეობა, 2/5-ს — მეცხოველეობა. ნათესების 3/4 უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, მ. შ. 60% — სიმინდსა (მოსავალი 7,5 მლნ. ტ, 1978) და ხორბალს (5,4 მლნ. ტ, 1978), უმთავრესად ვოევოდინაში და სავის, დრავისა და მორავის ხეობებში. ტექ. კულტურებიდან მოჰყავთ შაქრის ჭარხალი (5,1 მლნ. ტ, 1978) და თამბაქო (51 ათ. ტ, 1978). შუა დუნაის ვაკის მთისწინა ზონაში და ადრიატიკის სანაპიროზე მისდევენ მებაღეობას და მევენახეობას (1,1 მლნ. ტ ყურძენი, 1978). Ო-ში დაახლ. 150 მლნ. ნაყოფის მომცემი ხეა, აქედან 80 მლნ-ზე მეტი ქლიავია (706 ათ. ტ, 1978; შავქლიავის ექსპორტით Ო. II ადგილზეა მსოფლიოში). სანაპირო ზონაში აშენებენ ზეთისხილს (დაახლ. 5 მლნ. ხე), ლეღვს, ციტრუსებს. 1978 Ო-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 5,5 (მ. შ. ძროხა — 3,2), ღორი — 8,4, ცხვარი — 7,5, ცხენი — 0,8, შინაური ფრინველი — 60,4 მლნ. ფრთა.

ტრანსპორტი. რკინიგზის სიგრძეა 10,1 ათ. *კმ*, მ. შ. 2,6 ათ. *კმ* ელექტრიფიცირებულია, დაახლ. 1 ათ. *კმ* ვიწროლიანდიანია (1976). საავტ. გზების სიგრძეა 102 ათ. *კმ* (მ. შ. დაახლ. 38,5 ათ. *კმ* მოასფალტებულია), შიგა წყლის გზებისა — 2336 *კმ*. საზღვ. ფლოტის ტონაჟია 2 მლნ, ბრუტო სარეგისტრო ტ (1977). მთავარი საზღვ. ნავსადგურებია რიეკა, სპლიტი, შიბენიკი, კოპერი, პულა, პლოჩე, ბარი. დიდი საშდ. ნავსადგურია ბელგრადი. საერთაშ. მნიშვნელობისაა ბელგრადისა და ზაგრების აეროპორტები.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1978 ექსპორტმა შეადგინა 103,5 მლრდ. დინარი, იმპორტმა—182,3 მლრდ. გააქვთ (%-ობით, 1978): მანქანა-მოწყობილობანი — 20, ნახევარფაბრიკატები და ნედლეული — 49,5, მოხმარების საგნები —30,5. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი — 25,6, ნახევარფაბრიკატები და ნედლეული — 63,3, მოხმარების საგნები — 11,1. საგარეო ვაჭრობის დაახლ. 3/5 მოდის დას. ევრ. ქვეყნებისა და აშშ-ის, დაახლ. 1/3 — ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების წილად (Ო. 1964-იდან განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე მონაწილეობს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში). 1978 სსრკ-ის წილად მოდიოდა Ო-ის ექსპორტის 24,5% და იმპორტის 14,3%. 1978 Ო. დაათვალიერა დაახლ. 6,4 მლნ. უცხოელმა ტურისტმა.

ლიტ.: Бодрия В. В., Авденичев Л. А., Югославия. М., 1970; [Никифоров Л. А., Островидов Ю. П.], Социалистическая Федеративная Республика Югославия. Справочник. М., 1975.

VIII. შეიარაღებული ძალები

Ო-ის შეიარაღებული ძალები შედგება რეგულარული არმიისა და ტერიტორიული დაცვისაგან. იუგოსლავიის სახალხო არმია შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან, რ-თა შემადგენლობაში შედის ჰაერსაწინააღმ თავდაცვისა და სასაზღვრო ჯარები. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი. არმია შეიარაღებულია სხვადასხვა სახეობის თანამედროვე იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით. საბრძოლო სამხ. სამსახურის ვადაა 2—3 წელი. შეიარაღებული ძალები იქმნებოდა და მტკიცდებოდა ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში. 1941 წ. 4 ივლ. Ო-ის კომპარტიის ცკ-მა მოუწოდა ხალხს აღმდგარიყო ფაშისტ დამპყრობლებთან საბრძოლველად. ამ მოწოდების პასუხად ათიათასობით პატრიოტი შევიდა დამრტყმელ საბრძოლო ჯგუფებში და პარტიზ. რაზმებში. მათ ბაზაზე შეიქმნა Ო-ის სახ.-განმათ. არმია, რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში, საბჭ. არმიასთან ერთად იბრძოდა ბელგრადის განთავისუფლებისათვის.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1976 შობადობა 1 ათ. მოსახლეზე შეადგენდა 18,1, საერთო სიკვდილიანობა — 8,5; ბავშვთა სიკვდილიანობა—37,1 ყოველ 1000 ცოცხლად შობილზე. ავადმყოფობის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია გულ-სისხლძარღვთა და დეგენერაციულ დაავადებებს, ავთვისებიან სიმსივნეებს, ტრავმებს. ინფექციური დაავადებებიდან ყველაზე ხშირია დიზენტერია, წითელა, ქუნთრუშა, ყივანახველა, მენინგოკოკური ინფექციები. საავადმყოფოებსა და სტაციონარებში 1975 იყო 127,6 ათ. საწოლი (5,9 საწოლი 1 ათ. მცხოვრებზე), მ. შ. სპეციალიზებული დაწესებულებების 34,1 ათ. საწოლი. მუშაობდა 32,3 ათ. ექიმი (1 ექიმი 668 მცხ-ზე), 6,3 ათ. კბილის ექიმი, 80,7 ათ. საშ. მედმუშაკი. ექიმების ამზადებს უნ-ტების 9 ფაკ-ტი. არსებობს საშ. სამედ. პერსონალის მოსამზადებელ დაწესებულებათა ქსელი.

X. სახალხო განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ომის შემდეგ სახ.-დემოკრ. მთავრობამ და Ო-ის კომუნისტების კავშირმა ხელი მოჰკიდეს სახ. განათლების რეორგანიზაციის საქმეს. შეიქმნა ერთიანი სახელმწ. 3-საფეხურიანი სკოლა, ძირფესვიანად შეიცვალა სწავლების მიზნები და ამოცანები. 1958 გამოვიდა „იფსრ-ში სასკოლო განათლების საერთო კანონი", რ-ის მიხედვით შეიქმნა: საბავშვო ბაღები 3—7 წლის ასაკის ბავშვებისათვის, ერთიანი ძირითადი სავალდებულო 8-წლიანი ზოგადსაგანმან. სკოლა 7—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ძირითადი სკოლის ბაზაზე მუშაობს 4-წლიანი ზოგადსაგანმან. საშ. სკოლები (გიმნაზია) და 4—5-წლიანი საშ. პროფსკოლები (ტექნიკუმი), დაბალი 2—3-წლიანი პროფსკოლები და საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლები. საშ. სკოლის ბაზაზე მუშაობს 2-წლიანი ნახევრად უმაღლესი სასწავლებლები და 4—5-წლიანი უნ-ტები და ინ-ტები. 1977 წ. 13,5 ათ-ზე მეტ ძირითად სკოლაში სწავლობდა 3 მლნ-მდე მოსწავლე; 500-მდე გიმნაზიაში — 220 ათ-მდე მოსწავლე,

ᲪᲮᲠ. 1.—ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

პროდუქციის სახეობა	1939	1963	1978
ელექტროენერგია (მლნ. *კვტ · სთ*) . . .	1173	13535	51250
მ. შ. ჰესები იძლევა (მლნ. *კვტ · სთ*) .	566	8028	25199
მურა ნახშირი (ათ. ტ)	4312	9945	8855
ლიგნიტი (ათ. ტ)	1310	16191	30360
ნავთობი (ათ. ტ)	1	1550	4075
რკინის მადანი (ათ. ტ)	667	2297	4564
ბოქსიტი (ათ. ტ)	719	1285	2566
მსუბუქი ავტომობილი (ათ. ც.)	—	20,9	253,9
სატვირთო ავტომობილი (ათ. ც.) . . .	—	8,0	15,2
ტრაქტორი (ათ. ც.)	—	8,1	50,1
ცემენტი (ათ. ტ)	894	2826	6698
ბამბის ქსოვილი (მლნ. *მ²*)	110	348	410,3
შალის ქსოვილი (მლნ. *მ²*)	12	48	73,4
აბრეშუმის ქსოვილი (მლნ. *მ²*)	14	21	40,9
ტყავის ფეხსაცმელი (მლნ. წყვილი) . .	4,2	21,7	57,6
შაქარი (ათ. ტ)	108	313	693

710 ტექნიკუმში — 245,6 ათ-ზე მეტი, 800-ზე მეტ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლაში — 300 ათ-მდე მოსწავლე, 319 უმაღლეს სასწავლებელში—404,3 ათ. სტუდენტი. უდიდესი უმაღლესი სასწავლებლებია: *ბელგრადის უნივერსიტეტი*, ზაგრების (1669), ლიუბლიანის (1596), სარაევოს (1946), სკოპიეს (1949), ნიშის (1965), ნოვი-სადის (1960), პრიშტინის (1970), რიეკის (1973) უნ-ტები. O-ის ყველა რესპუბლიკაში არის მთავარი სამეცნ. დაწესებულება—მეცნ. და ხელოვნ. აკადემია: სერბიის (1886, ბელგრადი) სამხრეთსლავური (1867, ზაგრები), სლოვენური (1918, ლიუბლიანა), ბოსნიისა და ჰერცეგოვინის (1966, სარაევო), მაკედონიის (1976, სკოპიე) და ჩერნოგორიის (1976, ტიტოგრადი); მათი საქმიანობის კოორდინაციას ახდენს O-ის მეცნ. და ხელოვნ. აკადემიების საბჭო (1960). O-ში სულ 500-მდე სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაა, რ-უბიც იყოფა 3 ჯგუფად: 1. დამოუკიდებელი სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები (230-ზე მეტი), 2. აკადემიების სამეცნ. დაწესებულებები (35); 3. სამეურნეო და გაერთიანებული შრომის ორგანიზაციებთან არსებული სამეცნ. და საცდელი დანაყოფები (200). განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს უნ-ტების სამეცნ. დანაყოფები (50). 1977 სულ მუშაობდა 40 ათ-მდე მეცნიერ-მუშაკი. საერთაშ. სამეცნ.-ტექ. კონტაქტებს მეცნ., განათლების, კულტურისა და ტექ. დარგში ახორციელებს საერთაშ. ურთიერთობის საკავშ. სამმართველო. 1955 შექმნილი სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის სსრკ-O-ის კომისია 1975 გადაკეთდა ეკონ. და სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის სსრკ-O-ის სამთავრობათშორისო კომიტეტის მუდმივმოქმედ ქვეკომიტეტად. 1973 ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრკ მეცნ. აკადემიისა და O-ის მეცნ. და ხელოვნ. აკადემიათა საბჭოს შორის, აგრეთვე სსრკ-ის უნ-ტებსა და O-ის უნ-ტებს შორის თანამშრომლობის შესახებ.

1977 O-ში მუშაობდა 1400-ზე მეტი სამეცნ. და სპეც. ბ-კა, 1800-ზე მეტი სახ. ბ-კა, 371 მუზეუმი, მ. შ. ბელგრადში — სახ. მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნ. მუზეუმი, საქალაქო მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ეთნოგრ. მუზეუმი; ზაგრებში— სახ. რევ. მუზეუმი, ძვ. ოსტატთა გალერეა (შტროსმაიერის გალერეა), O-ის აკადემიის თანამედროვე გალერეა, ხელოვნ. და ხელოსნობის მუზეუმი და სხვ.; ლიუბლიანაში — ეროვნ. და თანამედროვე გალერეა, სლოვენიის ეთნოგრ. მუზეუმი; სარაევოში — სურათების გალერეა, სახ. რევ. მუზეუმი და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

O-ში გამოდის 3,5 ათ-მდე ჟურნალ-გაზეთი და სხვა პერიოდული გამოცემა საერთო ტირაჟით 20 მლნ-ზე მეტი. მ. შ. 24 ყოველდღიური გაზეთი 2 მლნ. საერთო ტირაჟით. მნიშვნელოვანი გაზეთებია: „ბორბა" („Borba", 1922-იდან, ტირაჟი 60 ათ. ც.)— O-ის მშრომელი ხალხის სოციალ. კავშირის ორგანო; „კომუნისტი" („Komunist", 1925-იდან, ტირაჟი 400 ათ. ც.)—O-ის კომუნისტთა კავშირისა და სერბიის კომუნისტთა კავშირის ორგანო; „მლადოსტი" („Mladost", 1919-იდან, ყოველკვირეული ტირაჟი 96 ათ. ც.) — O-ის სოციალ. ახალგაზრდობის კავშირის ორგანო; „პოლიტიკა" („Komunist", 1904-იდან, ტირაჟი 286 ათ.), ჟურნ. „სოციალიზმი" („Socijalizam", 1958-იდან, ტირაჟი 10 ათ. ც.)—O-ის კომუნისტთა კავშირი ყოველთვიური ორგანო და სხვ. იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო— ახალი იუგოსლავია (ტანიუგი), დაარსდა 1943 წ. 5 ნოემბერს. რადიოგადაცემები მიმდინარეობს 1926-იდან, ტელეგადაცემები— 1958-იდან; არის ფერადი ტელეგადაცემები. ქვეყნის შიგნით რადიოგადაცემები მიმდინარეობს სერბ.-ხორვ., სლოვ., მაკედ., იტალ., უნგრ., რუმ. და თურქ. ენებზე; საზღვარგარეთისათვის — ალბ., ინგლ., არაბ., ბულგ., გერმ., ესპ., პოლ., რუს., ფრანგ., ჩეხ., ენებზე. O-ში 189 რადიოსადგური და 62 ტელესადგურია (1978).



XII. ლიტერატურა

O-ის ხალხთა ეთნიკურმა და ენობრივმა ნათესაობამ, ისტ. ბედმა განაპირობა მათი ფოლკლორის, ლიტ-რისა და ისტორიის ნათესაობაც (O-ის ხალხთა ლიტ-რა იხ. სტატიებში *მაკედონია*. ლიტერატურა; *სერბია*. ლიტერატურა; *სლოვენია*. ლიტერატურა; *ხორვატია*. ლიტერატურა; *დუბროვნიკის რესპუბლიკა*). ამავე დროს 1918-მდე ამ ხალხების ისტორიაში დიდი განსხვავებაა. 1918—39 O-ის ხალხთა ლიტ-რაში მძაფრი ბრძოლა იყო ლიტ. მიმდინარეობებს შორის. 20-იან წლებში მომძლავრდა მოდერნისტული მიმდინარეობები: სიურრეალიზმი — სერბიაში (ო. *დავიჩო*, ა. ვუჩო და სხვ.), სიმბოლიზმი და ექსპრესიონიზმი — ხორვატიაში (ტ. უვეიჩი, 1891—1955 და სხვ.), ექსპრესიონიზმი — სლოვენიაში (ა. პოდბევშეკი, დ. 1898 და სხვ.). იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე მწერლებიც (მ. *კრლეჟა*, ა. ცესარეცი, 1893—1941 — ხორვატიაში; ს. *კოსოველი*, მ. კლოფჩიჩი, დ. 1900—სლოვენიაში; ჯ. იოვანოვიჩი, 1909—43 — სერბიაში და სხვ.). 20-იან წლებში სერბიაში ფეხი მოიკიდა *კრიტ. რეალიზმმა* (ბ. *ნუშიჩი*, ი. *ანდრიჩი*, ბ. ჩოსიჩი, 1903—34). ფაშისტური დიქტატურის წლებში იმძლავრა რეალისტურმა ლიტ-რამ (რ. ზოგოვიჩი, ვ. გლიგორიჩი, ვ. მასლეშა, 1906—43 და სხვ.). გაიზარდა საბჭ. ლიტ-რის გავლენა. წარმოიშვა ახ. ანუ „სოციალური" რეალიზმი (სლოვენურ ლიტ-რაში — მ. *კრანეცი*, ც. კოსმაჩი, ი. პოპოვიჩი და სხვ.). ოკუპაციის წლებში მწერლების უმრავლესობა მონაწილეობას იღებდა ეროვნ.-განმათ. ბრძოლაში. ბევრი მათგანი დაიღუპა ამ ბრძოლაში. სახ. რევ. გამარჯვების შემდეგ ლიტ-რის მთავარი თემა გახდა ფაშიზმთან ბრძოლა და ახ. ცხოვრების მშენებლობა (ი. ანდრიჩი, დ. ჩოსიჩი, მ. კრანეცი და სხვ.). 60-იან წლებში განვითარდა. სატირული (ე. კოში, დ. 1913) და ფილოს. (მ. სელიმოვიჩი, დ. 1910; მ. ცრნიანსკი, დ. 1893) პროზა. 60—70-იან წლებში O-ის ლიტ-რის თემატიკა განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა, შეიმჩნევა მისწრაფება სოც. პრობლემატიკის სოც.-ფსიქოლ. კვლევისაკენ. დიდი ყურადღება ეთმობა თანამედროვეობის მორალურ-ეთიკურ პრობლემებს.

ლიტ.: Пыпин А. Н., Спасович В. Д., История славянских литератур, 2 изд., т. 1—2, СПб., 1879—81.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

O-ში შემონახულია ილირიელებისა და კელტების ხელოვნ. ძეგლები, რომისა (სპლიტი, პულა) და ბიზანტ. (ცარიჩინგრადი) ქ-ების ნაშთები. *სლოვენიისა* და *ხორვატიის* შუა საუკ. ხელოვნება დაკავშირებულია ცენტრ. ევრ. ქვეყნებთან: წინა რომანული, რომანული და გოთიკური ეკლესიები ზადარში, მარიბორში, ზაგრებში (გამაგრებული ქ-ები, ციხე-დარბაზები, რენესანსისა და ბაროკოს სასახლეები დუბროვნიკში, ლიუბლიანაში). XIII—XVIII სს-ში განვითარდა ქანდაკება (იურაი დალმაციელი, ფ. რობა) და ფერწერა (იანეს ლიუბლიანელი, ფ. ბერგანტი). *სერბიის, მაკედონიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის*, აგრეთვე *ჩერნოგორიის* ხელოვნება ორიგინალურად შეერწყა ბიზანტ. და ევრ. ხელოვნებას (აგურით გამოყვანილი მორთულობითა და კვეთილი ორნამენტით შემკული ტაძარი ოჰრიდში, დეჩანის, გრაჩანიცის მონასტრები და სხვ.). განვითარდა ფრესკული ფერწერა (ნერეზი, სოპოჩანი). თურქთა ბატონობის პერიოდში შენდებოდა მეჩეთები და მინარეთები. XIX ს-ში O-ში ვითარდება „ბიდერმაიერისა" და რომანტიზმის სტილის ხელოვნება (ი. კარასი, კ. დანილი, ი. ტომინცი), რეალისტურ-ჟანრული ფერწერა (ი. და ი. შუბიცები, უ. პრედიჩი). XX ს. I მესამედში თავი იჩინა ახ. ევრ. მხატვრულმა მიმდინარეობებმა, რ-ებიც მჭიდროდ დაუკავშირდა ეროვნ. იდეალებს (ი. მეშტროვიჩის ქანდაკება, ი. გროხარის, ბ. დობროვიჩის, ლ. ლიჩენოსკის ფერწერა). აღმოცენდა სოც.-კრიტ. გრაფიკა (ჯ. ანდრეევიჩ-კუნი, მ. დეტონი). არქიტექტურაში ეკლექტიკას მოჰყვა ეროვნ. სტილის ძიების პერიოდი (ი. პლეჩნიკი), ნეოკლასიკისა და ფუნქციონალიზმის ტენდენციების გაძლიერება. 1940-იან წწ. დასასრულიდან მხატვრები ჯ. ანდრეევიჩ-კუნი, გ. ა. კოსი, ბ. იაკაცი, ა. ავგუსტინჩიჩი, ლ. დოლინარი მიმართავენ ეროვნ. ისტ., განმათ. ბრძოლისა და სოციალ. მშენებლობის თემატიკას. 1950-იან წწ. დასასრ. ჭარბობდა ფორმალური მხატვრული ძიებანი, რეალისტური ტენდენციებით ხასიათდებ. ლ. ვულკის, ფ. მიხელიჩის, პ. ლუბარდას და სხვ. ნამუშევრები. 1950-იან წლებში განაშენიანდა კეთილმოწყობილი საცხოვრ-ნები, აშენდა თანამედროვე სახ. შენობები და ცენტრები (ბელგრადში, ზაგრებში, ლიუბლიანაში, ტიტოგრადში); ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ანსამბლები. შენდება 196 მიწისქვეშა დანგრეული ქ. სკოპიე.

ლიტ.: Алешина Л. С., Яворская Н. В., Искусство Югославии. Очерки, М., 1966; Белоусов В. Н., Современная архитектура Югославии, М., 1973.

XIV. მუსიკა

O-ის რესპუბლიკების ხალხ. მუსიკაში აისახა თითოეული მათგანის კულტ.-ისტ. განვითარების თავისებურებანი, სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა, მეზობელი ქვეყნების მუს. ტრადიციების გავლენა. პროფ. მუსიკის განვითარებას აფერხებდნენ თურქი დამპყრობლები (XV—XIX სს.), ხოლო ეროვნ. ტრადიციების გამოვლინებას—ჰაბსბურგების ბატონობა. პირველი ცნობილი მუსიკოსები იყვნენ: ი. პეტელინ-გალუსი, ი. ლუკაჩიჩი, ი. იარნოვიჩი. XVIII ს.—XIX ს. დასაწყისში მუს. ცენტრებია ლიუბლიანა და ზაგრები, სადაც დაარსდა პირველი მუს. საზ-ბები, სიმფ. ორკესტრები, მუს. სასწ. დაწესებულებანი და მუს. თეატრები. O-ში შექმნილი პირველი ოპერებია: სლოვაკი კომპოზიტორების ი. ზუპანის „ბელინი" (დაახლ. 1780) და ი. ნოვაკის „მზარული დღე, ანუ მატიჩეკის ქორწინება" (1790). ეროვნ.-განმათ. მოძრაობის წლებში განვითარდა ეროვნ. ხელოვნება. შ. იქმნა თეატრი „ნაროდნო პოზორიშტე" ბელგრადში (1869), საოპერო დასები ხორვ. ეროვნ. (1870) და სლოვ. სახელმწ. (1892) თეატრებთან. O-ის ხალხების გ. ერთიანებამ სერბების, ხორვატებისა დ



სტ. *ისტორიული ჟანრი* (I). ვ. ს უ რ ი კ ო ვ ი. „მენშიკოვი ბერიოზოვში“. 1883. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ლოვენების სამეფოდ (1929-იდან — Ო.) ამოიწვია ამ ხალხების კულტურების დაახლოება, ჩამოყალიბდა საერთო ტრადიციები, რ-ებიც ტიპურია Ო-ის თანამედროვე მუს. ხელოვნებისათვის. გაიხსნა კონსერვატორიები ზაგრებში (1916) და ლიუბლიანაში (1919), მუს. აკადემია ბელგრადი (1937); დაარსდა ეროვნ. საკომპოზიტორო სკოლები. 50-იან წლებში შეიქმნა მუს. აკად. სარაევოში, მუსიკათმცოდნეობის ინ-ტი სერბ. მეცნ. აკადემიასთან, Ო-ის კომპოზიტორთა კავშირი (1950) და შემოქმედებითი კავშირები ყველა რესპუბლიკაში. დაარსდა მუს. თეატრები სარაევოში (1946), სკოპიეში (1948) და სხვ. ქ-ებში. ტარდება საერთაშ. ფესტივალები. ფესტივალსაჩინო თანამედროვე კომპოზიტორები არიან: ი. რისტიჩი, ს. რაიჩიჩი (სერბია), ი. ბრკანოვიჩი (ხორვატია), მ. ოზინა, პ. რამოვში (სლოვენია), ვ. ნიკოლოვსკი (მაკედონია), დ. შკერლი (ბოსნია და ჰერცეგოვინა); მომღერლები: მ. ჩანოლოვიჩი, ვ. ხეიბალოვა; პიანისტები: . ტრბოევიჩი, ბ. მუსულინი; მევიოლინეები: ი. ოზიმი, კ. რუპელი; მუსიკათმცოდნეები: ი. ანდრეისი, ს. ჯურიჩ-კლაინი; ირიჟორები: ო. დანონი, დ. ჟებრე და სხვ.

ლიტ.: Ямпольский И. М., Музыка Югославии, М., 1958.

XV. ბალეტი

პირველი საბალეტო სპექტაკლები Ო-ში ჭალ. და გერმ. საგასტროლო დასებმა ადგეს. 1894 ზაგრებში ო. ბარტიკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პატარა საბალეტო კოლექტივი, რ-მაც 1895—3 დადგა ლ. დელიბის „კოპელია“ და ა. დანის „ჟიზელი“. იყო ეროვნ. ბალეტის ადგმის ცდებიც. 1918-იდან რუსი მოცეკვეების (ე. პოლიაკოვას, მარგარიტა და ალექს ფრომანების) ხელმძღვანელობით იქნება მუდმივი საბალეტო დასები. 1924 აიდგა კ. ბარანოვიჩის ეროვნ. ბალეტი „თაფლაკვერის გული“. 30—40-იან წლებში საბალეტო ხელოვნებაში უხვად იყენებენ ეროვნ. ფოლკლორს.

II მსოფლიო ომის შემდეგ საბალეტო დასები შეიქმნა სარაევოში, ნოვი-სადში, სკოპიესა და სხვ. ქ-ებში. სპექტაკლებს გამდგენ ცნობილი ბალეტმაისტერები დ. ორლიჩი, ა. როიე, მ. ივანოვიჩი, სპექტაკლებში ხშირად იყენებენ ეროვნ. ქორეოგრაფიის ელემენტებს. იდგმება კლასიკურ მუსიკაზე დაწერილი ერთაქტიანი ბალეტები (ხშირად უსიუჟეტო), საზღვარგარეთელი (მ. შ. საბჭოთა) კომპოზიტორების ბალეტები.

1959-იდან ლიუბლიანაში ყოველწლიურად იმართება ბალეტის საერთაშ. ფესტივალი; 1947 ბელგრადში შეიქმნა საბალეტო სკოლა.

XVI. დრამატული თეატრი

Ო-ის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში დიდი როლი ითამაშა აქტიორული ხელოვნ. რეალისტურმა სკოლამ, რ-საც ეკუთვნის ბ. გაველა ხელმძღვანელობდა. სახ. თეატრის (ბელგრადი) რეპერტუარში ჭარბობდა სამამულო დრამატურგია (ბ. ნუშიჩი, მ. კრლეჟა, რ. გლადვიჩი და სხვ.), იდგმებოდა თარგმნილი პიესებიც (ლ. პირანდელო, ბ. შოუ, კ. ჰაშეკი, ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი და სხვ.). მუშაობდა სახ. თეატრები ბელგრადში, ზაგრებში, ნოვი-სადში, ლიუბლიანაში. II მსოფლიო ომის დროს Ო-ის თეატრების დიდი ნაწილი დაიხურა. პარტ. რაზმებში ჩამოდიოდნენ ცალკეული თეატრ. დასები. ფაშიზმისაგან განთავისუფლების შემდეგ (1945) დაიწყო თეატრების აღდგენა: სახ. თეატრი ბელგრადში, თეატრები ხორვატიაში, სლოვენიაში, სერბიაში. 1948 ბელგრადში შეიქმნა იუგოსლ. დრამ. თეატრი, სადაც თავი მოიყარეს ქვეყნის ეროვნ. თეატრების წამყვანმა მსახიობებმა. 1950-იან წლებში შეიქმნა ექსპერ. თეატრი („ატელიე 212“ ბელგრადში). Ო-ში არის აგრეთვე კომედიისა (ზაგრები), ოპერის, ოპერეტის, თოჯინების, საბავშვო და ახალგაზრდობის თეატრები.

1945 შემდეგ განვითარდა ჩამორჩენილი ოლქების თეატრ. ხელოვნება (სარაევოს, ცეტინიეს, სკოპიეს და სხვ.). 1950-იდან ყოველწლიურად ტარდება თეატრ.-მუს. ფესტივალები — დუბროვნიკის საზაფხულო თამაშები. უმაღლესი თეატრ. სასწ. დაწესებულებათაგან აღსანიშნავია თეატრ. ხელოვნ. აკადემიები ბელგრადში, ზაგრებსა და ლიუბლიანაში. სლოვენთა ეროვნული თეატრი გასტროლებზე ჩამოვიდა თბილისში 1979. უჩვენეს მოლიერის, იბსენის, კრლეჟას პიესები.

ლიტ.: Гавелла Б., Драма и театр, М., 1976; История зарубежного театра, ч. 2, М., 1972.

XVII. კინო

1910 Ო-ში გამოვიდა პირველი ფილმი „კარაჯორჯე“ (რეჟ. ი. სტანოევიჩ-ჩიჩა). Ო-ის კინოს განვითარების ახ. ეტაპი დაკავშირებულია სახ.-განმათ. ბრძოლასა (1941—45) და სახ. ხელისუფლების დამკვიდრებასთან ქვეყანაში. პირველმა ხმოვანმა მხატვრულმა ფილმმა „სლავიცა“ (1947, რეჟ. ვ. აფრიჩი) საფუძველი დაუდო ე. წ. „პარტიზანული ჟანრის“ ფილმებს: „ეს ხალხი იცხოვრებს“ (1947, რეჟ. ნ. პოპოვიჩი), „საკუთარ მიწაზე“ (1948, რეჟ. ფ. შტიგლიცი) და სხვ. 50-იან წლებში ძირითადად უშვებდნენ თანამედროვეობაზე შექმნილ ფილმებს „შაბათ სადამოს“ (1947, რეჟ. ვ. პოგაჩიჩი), „H—8“ (1958, რეჟ. ნ. ტანხოფერი) და სხვ. 60-იან წლებში ისევ შეიქმნა ფილმები ომზე „მეცხრე წრე“ (1959, რეჟ. ფ. შტიგლიცი), „კოზარა“ (1962, რეჟ. ბულაიჩიჩი), „ადამიანი ფოტოსურათიდან“ (1963, რეჟ. ვ. პოგაჩიჩი). 60-იან წწ. ბოლოს Ო-ის კინო ჟანრობრივად უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამ პერიოდში გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია: „ვიშევიცეს კუნძულის პრომეთე“ (1965, რეჟ. ვ. მიმიცა), „განაჩენი მოყვანილია სისრულეში“ (1967, რეჟ. პ. ჯორჯევიჩი,), „სუტიესკა“ (1973, რეჟ. ს. დელიჩი), „უჟიცკის რესპუბლიკა“ (1974, რეჟ. ჟ. მიტროვიჩი), „მატარებელი თოვლზე“ (1976, რეჟ. მ. რელია) და სხვ. მსოფლიო აღიარება მოიპოვა „ზაგრების მულტიპლიკაციური კინოს სკოლამ“, რ-იც 1950 დაარსდა.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 304—305. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 336.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ (Narodno pozorište), იუგოსლავიის ერთ-ერთი უძველესი თეატრი. გაიხსნა 1869 ბელგრადში. აერთიანებს დრამატულ, საოპერო (1920) და საბალეტო (1921) დასებს, დრამ-საბალეტო სკოლას (1920). თეატრის რეპერტუარშია საზღვარგარეთის კლასიკა, ეროვნ. დრამატურგია, თანამედროვე პიესები.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ (ᲘᲙᲙ; Савез Комуниста Југославије, Savez Komunista Jugoslavije), შეიქმნა ქვეყნის სხვადასხვა მხარეების სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად ბელგრადში, ყრილობაზე 1919 წ. 20—23 აპრ. იუგოსლ. სოციალ. მუშათა პარტიის (კომუნისტებისა) სახელწოდებით — ისმპ(კ). იმავე წელს III კომუნისტურ ინტერნაციონალში შევიდა. ისმპ(კ)-ის II ყრილობის (1920) შემდეგ იუგოსლ. კომუნისტურ პარტიად იწოდებოდა (იკპ). 1920 დეკ. ბოლოს იკპ აიკრძალა და 1941-მდე არალეგალურად მუშაობდა. II მსოფლიო ომის (1939—45) წლებში იკპ სათავეში ედგა იუგოსლ. ხალხების გმირულ ბრძოლას ფაშისტ-ოკუპანტების წინააღმდეგ (იხ. *სახალხო-განმათავისუფლებელი ომი იუგოსლავიაში 1941—45*). განმათ. ომის დამთავრებისა და სახ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იკპ მმართველი პარტია გახდა. იკპ-ის V ყრილობამ (1948 ივლ.) მიიღო პარტიის ახ. პროგრამა და წესდება. უარყოფითად შეაფასა კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს რეზოლუცია „იკპ-ში მდგომარეობის შესახებ“ (1948 ივნ.). 1948—49 დაირღვა ურთიერთობა იუგოსლავიისა და იკპ-ისა სოციალ. ქვეყნებთან და კომპარტიებთან (აღდგენა დაიწყო 1953—1954). 1952 ნოემბ. ჩატარდა VI ყრილობა, რ-მაც მიიღო გადაწყვეტილება იკპ-ის იუგოსლ. კომუნისტთა კავშირად (იკკ) გარდაქმნის შესახებ. ყრილობამ მიიღო პარტიის ახ. წესდება. იკკ-ის IX ყრილობის (1969) მიერ მიღებულ პარტიის ახ. წესდებაში ნათქვამია, რომ „იკკ არის მუშათა კლასის და ყველა მშრომელის რევოლუციური, ორგანიზებული და წამყვანი იდეურ-პოლიტ. ძალა მათ ბრძოლაში სოციალიზმისათვის. უკლასო კომუნისტური საზოგადოების დამყარება იკკ-ის ისტორიული ამოცანა და საბოლოო მიზანია“. იკკ-ის ორგანიზაციული და იდეური განმტკიცებისათვის იკკ-ის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა გამოხატულება პოვა ბოლო დროის პარტიულ დოკუმენტებში: „მოქმედების პროგრამა“, იკკ-ის თავ-რისა და აღმასრ. ბიუროს პრეზიდიუმის წერილი, „პლატფორმა იკკ-ის X ყრილობის პოზიციისა და გადაწყვეტილებათა გამომუშავებისათვის“. იკკ-ის X ყრილობამ (1974 მაისი) განიხილა პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. იკკ-ის XI ყრილობამ (1978 ივნ.) დიდი ყურადღება დაუთმო პარტიის წამყვანი როლის გაძლიერებას. იკკ-ის დელეგაცია მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირში (1957, მოსკოვი) და ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენციაში (1976, ბერლინი). 1977 დამდეგისათვის იკკ აერთიანებდა 1,6 მლნ. წევრს. იკკ-ის უმაღლესი ორგანოა ყრილობა (იწვევენ 4 წელიწადში ერთხელ მაინც). ყრილობებს შორის პარტიის უმაღლესი ორგანოა იკკ ცკ. ბეჭდვითი ორგანოებია: ყოველკვირეული გაზეთი „კომუნისტი“ („Komunist“) და ყოველთვიური ჟურნ. „სოციალიზმი“ („Socijalizam“).



იუგოსლავია. ფ. ივკოვიჩი. ს. ნენადოვიჩი და სხვ. აეროპორტ „ბელგრადის“ აეროვაგზალი. 1962.

იუგოსლავია. ლაზარიცის ეკლესიის სარკმელი. კრუშევაცი. 1370—74.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲠᲘ (ᲘᲒᲒᲐᲤ), დაარსდა 1942 როგორც უმაღლესი პოლიტ. წარმომადგენლობითი ორგანო, რ-იც აერთიანებდა იუგოსლავიის ყველა პატრიოტ. ძალას ფაშისტი ოკუპანტებისა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იხგაფ-ს I სესიამ (1942 წ. 26—27 ნოემბ.) აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რ-მაც თავის თავზე აიღო სახ. განმათ. კომიტეტების (ჩამოყალიბების პროცესში



იუგოსლავია. ქალაქი სპლიტი. საკურორტო კომპლექსი.

მყოფი სახ. ხელისუფლების ორგანოები) ხელმძღვანელობა. II სესიაზე (1943 წ. 29—30 ნოემბ.) იხგავ რეორგანიზებულ იქნა უმაღლეს საკანონმდებლო წარმომადგენლობით ორგანოდ. აირჩიეს ვეჩეს პრეზიდიუმი და შეიქმნა იუგოსლ. განთავისუფლების ეროვნ. კომიტეტი (იგეკ) — დროებითი რევ. მთავრობა ი. ბროზ ტიტოს მეთაურობით. სესიის გადაწყვეტილებით მეფე პეტრე II კარაგეორგიევიჩს აეკრძალა იუგოსლავიაში დაბრუნება, ლონდონში მყოფ ემიგრანტულ მთავრობას ჩამოერთვა კანონიერი მთავრობის უფლებები, აგრეთვე გადაწყდა იუგოსლ. გარდაქმნა ფედერ. საფუძვლებზე. III სესიაზე (1945 წ. 7—10 აგვ.). იხგავ-ს ეწოდა დემოკრ. ფედერ. იუგოსლ. ლროებითი სახალხო სკუპშჩინა; იგი მოქმედებდა დამფუძნებელი სკუპშჩინის არჩევამდე (1945 ნოემბ.).

იუგურთა (Jugurtha) (ძვ. წ. 160—104), ნუმიდიის (ახლანდ. ალჟირის ტერიტ.) მეფე, *მასინისას* შვილიშვილი. სამეფო ტახტი წაართვა ბიძაშვილებს — ჰიემფსალსა და ადჰერბალს, რ-ებსაც რომი მფარველობდა. ამან გამოიწვია განხეთქილება რომის ხელისუფლებასთან. მაგრამ ი. მმართველ წრეთა მრავალგზის მოსყიდვით ინარჩუნებდა მეფობას. „იუგურთას კაზუსმა" რომაელი ხალხის მღელვარება გამოიწვია. სენატი იძულებული გახდა უზურპატორისათვის ომი გამოეცხადებინა. „იუგურთას ომი" რომაელ სარდალთა და დიპლომატთა მოქრთამვის წყალობით ექვსი წელი (111—105) გაჭიანურდა. ბოლოს იგი დაამარცხა და დაატყვევა მარიუს გაიუსმა. ი. რომის დილეგში ჩააგდეს, ერთხანს აშიმშილეს და მერე დაახრჩვეს.

ლიტ.: სანიკიძე ლ., მარიუსი და სულა (რომაული ქრონიკები), თბ., 1970.

ლ. სანიკიძე.

იუდაიზმი, ერთ-ერთი უძველესი რელიგია. წარმოიშვა ძვ. წ. I ათასწლეულში პალესტინაში და უმთავრესად ებრაელთა შორის გავრცელდა. ტერმ. „ი." (Iudaismos) ბერძნულია და თავდაპირველად აღნიშნავდა ებრაელთა რელიგ. წეს-ჩვეულებებსა და პრაქტიკას (ეპისტოლე გალატელთა მიმართ 1, 13 ძვ. ქართ. ჰ ურ ი ა ე ბ ა). მორწმუნეთა უმრავლესობა ცხოვრობს ისრაელსა და აშშ-ში, რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტ. ცნობები არ მოგვეპოვება.

ი-მა ჩამოყალიბების პროცესში მრავალი ცვლილება განიცადა. ბიბლ. ტრადიციით, მომთაბარე მესაქონლე დას. სემიტური ტომები (ებრაელები) ძვ. წ. XIII ს-ში ეგვიპტიდან უდაბნოში გაიქცნენ. ამ პერიოდში მათ რელიგიაში დადასტურებულია ანიმისტური და ტოტემისტური ელემენტები. პალესტინის დაპყრობისა და ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის შემდეგ ებრაელთა შორის პოლითეიზმი გავრცელდა. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას (ძვ. წ. XI ს.) მოჰყვა ებრ. ერთ-ერთი ღმერთის-*იაჰვეს* კულტის ცენტრალიზაცია იერუსალიმში, მაგრამ ბრძოლა მონოთეიზმის დასამკვიდრებლად კიდევ დიდხანს გაგრძელდა. *იოსიას* რეფორმები (ძვ. წ. 622) სწორედ იაჰვეს კულტის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. ი-ის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს ე. წ. წინასწარმეტყველებმა (ძვ. წ. IX—VIII სს.). მათი ქადაგებების ჩაწერა ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII ს-ში დაიწყეს (იხ. *ამოსი, დანიელი, იერემია*). ი-ის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პოლიტ. ფაქტორმა — ძვ. წ. 586 ბაბილონის მიერ იუდეის სახელმწიფოს განადგურებამ და „ბაბილონის ტყვეობამ". მწიგნობრები (ებრ. სოფერიმ) პოლიტ. ერთიანობას მოკლებულ ებრაელთა შორის აგროვებდნენ ებრ. წმინდა წიგნებს და აერთიანებდნენ მათ. „ბაბილონის ტყვეობის" შემდეგ კი ამ ტექსტებს რედაქცია გაუკეთეს და ასე ჩაეყარა საფუძველი ძვ. აღთქმის (ი-ის წმინდა წიგნი) კანონიკურ ტექსტს. მის ბირთვს წარმოადგენს თორა—5 წიგნი, რ-ის ავტორობასაც ტრადიცია *მოსეს* მიაწერს. ამ დროისათვის ჩამოყალიბებულ სახეს იღებს ი-ის ძირითადი რელიგ. დოგმატები: მონოთეიზმი — იაჰვეს აღიარება ერთადერთ ღმერთად; რწმენა იაჰვეს და ებრაელთა შორის დადებული აღთქმისა („შეთანხმებისა"); „ისრაელის ძეთა" მიჩნევა ღმერთის რჩეულ ერად. ამ აღთქმის გარეგნულ გამოვლინებად წინდაცვეთა ითვლება, ნამდვილად კი ეს ჩვეულება, როგორც ინიციაციის — ვაჟის მეომართა თემის წევრად გახდომის რიტუალის გადმონაშთი, ცნობილი იყო ძვ. აღმოსავლეთის სხვა ხალხებშიც; ღვთის გამოცხადება სინის მთაზე, მესიანიზმი და სხვ. „ბაბილონის ტყვეობიდან" დაბრუნებულმა ებრაელებმა (ძვ. წ. 533) იერუსალიმში იაჰვეს ტაძარი აღადგინეს. ახ. რელიგ. თემის წინამძღოლებმა ეზრამ და ნეემიამ ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყვნენ ნამყოფი, და არც ისინი, ვინც პალესტინაში დარჩნენ (იმ მიზეზით, რომ მათ ურთიერთობა ჰქონდათ სხვა ღმერთების თაყვანისმცემელ ხალხთან). ახ. რელიგ. თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა სამარიტელთა სექტა შექმნეს (დღესაც განაგრძობს არსებობას პალესტინაში). ამ სექტის ჩამოყალიბებამ კიდევ ერთხელ გამოავლინა ძველი ერთვნ. ანტაგონიზმი ჩრდილოეთის (ეფრაიმი) და სამხრეთის (იუდა) ტომებს შორის. თანდათანობით შეიკესო და დაიხვეწა ძვ. აღთქმის კანონიკური ტექსტი, რ-მაც საბოლოო სახე ახ. წ. VII—IX სს-ში მიიღო. ეს არის ე. წ. მასორული ტექსტი ბიბლიისა. ძვ. წ. III—II სს-ში ელინისტური სახელმწიფოების მბრძანებლებმა იუდეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეგვიპტეში, სირიაში, სომხეთში და სხვ. ქვეყნებში გაასახლა. თვით იუდეაში მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში ი-ში შეიქმნა მიმდინარეობები: *ფარისეველებისა* და *სადუკეველების* რელიგ.-პოლიტ. პარტიები, რ-თაც სცადეს თორის მრავალრიცხოვანი მცნებების ახლებური გაგება და მათი შეგუება ახ. პოლიტ.-სოც. პირობებთან. მათ მიერ დამუშავებული და შეკრებილი კომენტარები თორისა გაერთიანდა *თალმუდში,* რ-საც ი-თვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საყურადღებო საკულტო სიახლეს წარმოადგენდა ტაძარში ღვთისმსახურების (რაც ი-ის დოგმის მიხედვით მხოლოდ იერუსალიმში იყო ნებადართული) შეცვლა სინაგოგებში ლოცვით, ქურუმების—რაბინებით (რელიგ. კანონების მასწავლებლები, რ-ებიც რელიგ. თემის სამოქალაქო-სასამართლო საქმეებსაც განაგებდნენ). ი-მა, რ-ის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდა ელინიზმის, ნეოპლატონიზმისა და არისტოტელეს იდეები, თავის მხრივ დიდი გავლენა იქონია ქრისტიანობასა და ისლამზე. აღრინდ. ქრისტიანობამ ი-გან გადმოიღო სარწმუნოების ძირითადი დოგმატი — რწმენა მესიისა — ცხებულისა, რ-იც მოვლინებულია კაცობრიობის მხსნელად და სხვ. აღრინდ. ფეოდ. ეპოქასა და შუა საუკუნეებში ი-ში ხდებოდა ცვლილებები. VIII ს. ერაყში, სირიასა და პალესტინაში წარმოიშვა ყარაიმთა სექტა, რ-იც უარყოფდა ორთოდოქსალური ი-ის მრავალ დებულებას, მ. შ. მესიის მოვლინებასა და მკვდრეთით აღდგომას. იმ ქვეყნებში, სადაც სხვა დოგმატური რელიგიები ბატონობდნენ, ი-ის მიმდევრებს სდევნიდნენ. XIII—XIV სს-ში ჩამოყალიბდა *კაბალა*—რელიგ. მისტიციზმით გამსჭვალული მიმდინარეობა, რ-მაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ხასიდიზმზე (ებრ. ღვთისმოსავი), ეს უკანასკნელი წარმოიშვა XVIII ს-ში პოლ. და რუს. დარიბ ებრ. მასებში. XIX ს. დას. ევროპასა და აშშ-ში მიზნად დაისახეს ი-ის რეფორმა, რაც მის მოდერნიზაციაში გამოიხატა — შეამსუბუქეს ღვთისმსახურების ზოგიერთი, მხოლოდ გარეგნული, ტრად. რიტუალი, ი-ის ძირითადი პრინციპები კი არსებითად ხელშეუხებელი დარჩა. ი. არ ცნობს ტაძრებს; არ გააჩნია სას. იერარქია, სინაგოგები არსებობს მორწმუნეთა ხარჯზე (მნიშვნელოვან თანხას კაპიტალისტები სწირავენ). ი., რ-საც ახასიათებს უკიდურესი კონსერვატიზმი რწმენისა და კულტისა, ისრაელის სახელმწ. რელიგიაა. ი-ის მიმდევართა რელიგ. ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღესასწაულები: შაბათი — სრული დასვენების დღე. ამ დღესასწაულის დაწესება დაკავშირებულია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის მითთან და, ებრ. ტრადიციით, ღმერთისა და ადამიანის კავშირის გამოხატულებას წარმოადგენს: აღდგომა, მარხვა და „მონანიების დღე" — იომ-ქიფური.

საქართველოში ი. ადრევე იყო გავრცელებული ადგილ. ებრაელთა შორის (პირველი ებრ. კოლონია საქართველოში დადასტურებულია ძვ. წ. II ს-ში). აღსანიშნავია, რომ ისტორიულად საქართველოსათვის უცნობია ი-ის მიმდევართა რელიგ. დევნა. საქართველოშია დაცული ებრ. ბიბლიის მასორული ტექსტის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი — ე. წ. „ლაილაშის ბიბლია" (XI ს.).

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., О религии, М., 1955; Амусин И. Д., Рукописи Мёртвого моря, М., 1961; Беленький М. С., Иудаизм, М., 1966; Ранович А., Очерк истории древнееврейской религии, М., 1937; Baron S. W., A social and religious history of the Jews, 2 ed., v. 1—12, 14, N. Y., 1957—69; Finkelstein L., The Jews: their history, culture and religion, v. 1—2, N. Y., [1949].

მ. შანიძე.

იუდა ისკარიოტელი, ბიბლიური (სახარების) პერსონაჟი. ქრისტ. ტრადიციის მიხედვით, ქრისტეს 12 მოწაფეთაგან (მოციქულთაგან) ერთ-ერთი. ი. ი-მა 30 ვერცხლის ფასად გასცა იესო ქრისტე და შეპყრობინა იუდეველთა მღვდელთმთავრებს, რ-თაც რომაელების დახმარებით იგი ჯვარს აცვეს. შუა საუკ. და აღორძინების ხანის ხელოვნებაში წარმოსახავდნენ: ღალატის სცენას (ი. ი. კოცნის იესო ქრისტეს და ამით მიანიშნებს მასზე. აქედან გამოთქმა—ი უ დ ა ს ა მ ბ ო რ ი) და საიდუმლო სერობას. ქრისტეს შეპყრობის შემდეგ ი. ი-მა თავი ჩამოიხრჩო (მათე, თ. 26—27). ი. ი. ისტ. პიროვნება არ არის; მისი სახე შექმნილია მომავალი მესიის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებათა შესაბამისად (ზაქარია, თ. 11, 12). ი. ი-ს სახელი მოღალატის გამცემის სინონიმად იქცა.

მ. შანიძე.

იუდეველთა ომი 66—73, იუდეველთა აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. ამბოხების მიზეზი გახდა რომის პროვინცია იუდეის ქ. კესარეის საქალაქო თვითმმართველობიდან იუდეველთა გამოძევება და იერუსალიმში რომაელი პროკურატორის ბორტმოქმედებანი. აჯანყებულებმა გაანადგურეს რომაული გარნიზონი; წარმატებით მოიგერიეს სირიის ნაცვლის შემოტევა. აჯანყება მოედო მთელ იუდეას. მასში მონაწილეობდნენ: ზელოტები, რ-ებსაც ემხრობოდნენ ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები; სიკარიუსები — მონათა და გაღატაკებულ გლეხთა რიგებიდან გამოსულები, და ფარისეველნი — რიტუალური სიწმინდისა და წეს-ჩვეულებათა დამცველნი, რ-ებიც შემდგომ ცდილობდნენ რომთან შეთანხმებას. აჯანყებულებს განუდგა და რომის მხარეზე გადავიდა მხედართმთავარი იოსები (შემდგომში ცნობილი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი). ამბოხებულებმა გადააყენეს ფარისეველნი, გაათავისუფლეს მონები და იერუსალიმის ტაძარი ციხესიმაგრედ გადააქციეს. აჯანყებულთა მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომაელთა ჯარი ვესპასიანეს მეთაურობით წარმატებით იბრძოდა. ამასობაში ვესპასიანე რომის იმპე-

რატორად გამოაცხადეს და ჯარის სარდლობა თავის ძეს ტიტუსს ჩააბარა. ალყაშემორტყმული იერუსალიმი 5 თვეს გმირულად იგერიებდა რომაელთა შეტევებს. 70 რომაელებმა მიწასთან გაასწორეს იერუსალიმის ტაძარი, ტყვეები მონებად აქციეს. 73 დაეცა სიკარიუსთა უკანასკნელი საყრდენი ქ. მასადა. Ი. Ო. იყო ერთ-ერთი იმ სახალხო მოძრაობათაგანი, რ-იც რომაულ პროვინციებში თან სდევდა იმპერიის საერთო სოც. კრიზისს.

გ. გიორგაძე.

ᲘᲣᲓᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ (დაახლ. ძვ. წ. 928 — ძვ. წ. 586), ძვ. სახელმწიფო სამხრ. პალესტინაში. შეიქმნა *ისრაელის სამეფოს* დაყოფის შემდეგ. დედაქალაქი — იერუსალიმი. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იუდას ტომმა (ბენიამინელებთან ერთად) მეფედ გამოაცხადა სოლომონის ძე რობოამი (დაახლ. ძვ. წ. 928—911), რასაც მტრულად შეხვდნენ ისრაელის და მისი მეზობელი სხვა ებრ. ტომები. მათ თავის მხრივ მეფედ აღიარეს — იერობოამი, რ-იც ეგვიპტეს აფარებდა თავს. ისრაელთა დასახმარებლად ეგვიპტემ დაარბია იუდეველები. რობოამმა ვეღარ შეძლო ერთიანი სამეფოს აღდგენა. ერთმანეთთან ხანგრძლივმა ომებმა მნიშვნელოვნად დასუსტა როგორც ისრაელის, ისე Ი. ს. დაახლ. ძვ. წ. 873—842 Ი. ს-მ კავშირი შეკრა ისრაელის სამეფოსთან, რაც იშვიათად ირღვეოდა ისრაელის სამეფოს დაცემამდე (ძვ. წ. 722). Ი. ს-ს მმართველებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს საგარეო პოლიტიკაში. შემოიმტკიცეს სამხრეთში მდებარე ვასალური სამთავროები, ხელში ჩაიგდეს წითელ ზღვაზე გასასვლელი, ისრაელის სამეფოს დაცემის შემდეგ მისი სამხრ. რ-ნებიც შეიერთეს; ისარგებლეს ასურეთის დასუსტებით და დროებით დამოუკიდებლობაც კი მიიღეს. Ი. ს. განსაკუთრებით გაძლიერდა მეფე *იოსიას* (ძვ. წ. 640/639—609) დროს. იოსიას კანონმდებლობა მიმართული იყო სავალო მონობის წინააღმდეგ. ერთ-ერთ მუხლში აღნიშნული იყო, რომ თუკი ვინმე მონა ებრაელს იყიდდა, ექვსი წლის მონობის შემდეგ უნდა გაეთავისუფლებინა და ეკონომიურადაც დახმარებოდა. იოსიამ ჩაატარა უზენაესი ღვთაების — *იაჰვეს* კულტის ცენტრალიზაცია. მისი მმართველობის ბოლო წლებში Ი. ს. ეგვიპტემ დაიპყრო. ძვ. წ. VII ს. ბოლოს ასურეთის სახელმწიფოს დაცემამ გააძლიერა ახ. ბაბილონის სამეფო, რ-მაც დაიპყრო ასურეთის სამფლობელოები და ძვ. წ. 602 Ი. ს-ც მოხარკედ გაიხადა. მართალია, ცოტა ხნით Ი. ს. განუდგა ბაბილონს, მაგრამ ძვ. წ. 597 ნაბუქოდონოსორ II-მ კვლავ დაიმორჩილა იგი, იერუსალიმი დაარბია, ხოლო ქვეყნის წარჩინებული მოსახლ. ნაწილი ბაბილონში გადაასახლა. ანტიბაბილონური მოძრაობის გაძლიერების გამო ნაბუქოდონოსორ II-მ კვლავ დაარბია Ი. ს. დიდი ბრძოლების შემდეგ აიღო იერუსალიმი (ძვ. წ. 586), მოსახლ. დიდი ნაწილი გადაასახლა ბაბილონში, ნაწილი კი ეგვიპტეში გაიხიზნა. Ი. ს-მ არსებობა შეწყვიტა. დაიწყო ე. წ. „ბაბილონის ტყვეობა". აქემენიდების მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ (ძვ. წ. 538) კიროს II-მ უფლება მისცა იუდეველთ იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენებისა. ძვ. წ. IV ს-ში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოში შედიოდა; მოგვიანებით რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა. Ი. ს. საბოლოოდ ახ. წ. 70 დაეცა, როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლავიუსმა იერუსალიმი დაანგრია.

გ. გიორგაძე.

ᲘᲣᲓᲔᲜᲘᲩᲘ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1862—1933), მეფის არმიის გენერალი, თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1913 კავკ. სამხ. ოლქის შტაბის უფროსი, 1915-იდან კავკ. არმიის სარდალი, 1917 მარტიდან კავკ. ფრონტის მთავარსარდალი. ოქტ. რევ. შემდეგ თავი ფინეთს შეაფარა. 1919 ივლ. კოლჩაკმა დანიშნა თეთრგვარდიელთა ჩრდ.-დას. არმიის მთავარსარდლად, რ-იც პეტროგრადს უტევდა. 1919 ოქტ.-ნოემბ. Ი-მა მოაწყო ლაშქრობა პეტროგრადზე. Ი-ის არმია გაანადგურა წითელმა არმიამ. Ი. ემიგრაციაში წავიდა ინგლისში.

ᲘᲣᲓᲘᲜᲘ ალექსეი არკადის ძე (დ. 17. III. 1904, ქ. ასტრახანი), რუსი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1978). 1927-იდან თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრის მსახიობია. გარკვეული წვლილი შეიტანა ამ თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. როლები: ლენინი (შატროვის „რევოლუციის სახელით"), ფრიც ბაუერი (საცის „ფრიც ბაუერი"), ფრანცი (შილერის „ყაჩაღები"), შმაგა (ოსტროვსკის „უდანაძაულო დამნაშავენი"), ჟერონტი (მოლიერის „სკუპენის ოინები"), კიკილა (ნახუცრიშვილის „ნაცარქექია") და სხვ.

ᲘᲣᲓᲘᲜᲘ სერგეი სერგეის ძე [27. IX (9. X). 1891, მოსკოვი,—12. VI. 1954, იქვე], საბჭ. ქირურგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი. 1915 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1914—18 იყო მოქმედ არმიაში. 1928-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ნ. სკლიფასოვსკის სახ. სასწრაფო დახმარების ინ-ტის მთავარ ქირურგად, 1931—54 განაგებდა აგრეთვე ექიმთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტის გადაუდებელი ქირურგ. კათედრას. 1936 მონოგრაფიისათვის „თავზურგტვინის ანესთეზია" მიენიჭა თ. რეინის სახ. პრემია. 1930 Ი-მა პირველმა ქირურგ. ისტორიაში, სისხლის გადასხმისათვის გამოიყენა უეცრად გარდაცვლილი ადამიანის სისხლი (1962, სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ლენინური პრემია). საყლაპავი მილის აღდგენითი ქირურგ. საკითხებზე შრომისათვის 1948 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. Ი-ის შრომები ეძღვნება მუცლისა და გადაუდებელი ქირურგ. საკითხებს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სამი სხვა ორდენითა და მედლებით.

ᲘᲣᲕᲐᲠᲐ (Juvara, Juvarra) ფილიპო (27. III. 1678, მესინა, — 31. I. ან 1. II. 1736, მადრიდი, ესპანეთი), იტალიელი არქიტექტორი, გვიანი ბაროკოს გამოჩენილი წარმომადგენელი. სწავლობდა რომში არქიტ. კ. ფონტანასთან. თავდაპირველად იყო გრავიორი, თეატრის არქიტექტორი და დეკორატორი. 1714 მუშაობდა მესინაში, 1714—35 — ძირითადად ტურინში, 1719—20 — პორტუგალიაში, ხოლო 1735-იდან ესპანეთში. 1725-იდან იყო რომის წმ. პეტრეს ტაძრის არქიტექტორი. ძირითადი ნამუშევრები: პალაცო მადამას ფასადი და კიბე (1718—21), სანტა-მარია დელ კარმინეს ეკლესია (1732—36), ორივე ტურინში, სუპერგას ეკლესიისა და მონასტრის კომპლექსი (1715—31) და სხვ.

ᲘᲣᲕᲔᲚᲘᲠᲘ, იხ. *ოქრომჭედელი.*

ᲘᲣᲕᲔᲜᲐᲚᲘᲡᲘ დეციმუს იუნიუს (Decimus Junius Juvenalis) (დაახლ. 60, აკვინუმი, რომის ახლოს, — დაახლ. 127, რომი), რომაელი სატირიკოსი პოეტი. წარმოშობით დემოკრ. ფენიდან იყო. მოღვაწეობდა იმპერატორების დომიციანეს, ტრაიანეს, ადრიანეს ეპოქაში, რომის იმპერიის მონათმფლობელური მეურნეობის მძაფრი კრიზისისა და საზ-ბის გარკვეული ფენების სრული დემორალიზაციის პირობებში. ჰეგზამეტრით გამართულ თავის „სატირებში" (ჩვენამდე მოღწეულია 16 სატირა) Ი. დაუნდობლად ამხელს რომის მმართველი ზედაფენის მანკიერ ცხოვრებას, განცხრომაში მყოფთა ზნეობრივ გადაგვარებას უპირისპირებს ღარიბი და პატიოსანი ხალხის მძიმე ცხოვრების სურათებს. Ი-ის სატირისათვის დამახასიათებელია აგრეთვე განყენებული თემატიკა და ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვა ფილოს.-ეთიკურ ასპექტში. დღემდე შემორჩა მისი სენტენციები, მაგ., „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი გონებაა..." და სხვ.

თხზ.: Satirarum libri, 5 ed., Lipsiae, 1926; Satirae, Hrsg. U. Knoche, München., 1950.

ლიტ.: История римской литературы, т. 2, М., 1962.

ᲘᲣᲕᲘᲐᲡᲙᲘᲣᲚᲘᲐ (Jyväskylä), ქალაქი ფინეთში, იუვიასიარვის ტბის ნაპირზე. კესკი-სუომის ლიანის ადმ. ცენტრი. 62 ათ. მცხ. (1977). სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ქიმ., ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დასამუშ. მრეწველობა. პედ. ინ-ტი.

ᲘᲣᲖᲘ, იხ. *ჰიუზი* დეივიდ ედუარდ.

ᲘᲣᲘᲪᲘ, ქალაქი ჩინეთში, შანსის პროვინციაში. 100 ათ. მცხ. (1972). სარკინიგზო კვანძი. საფეიქრო (უმთავრესად ბამბეულის) მრეწვ. ერთ-ერთი ცენტრი. საფეიქრო მანქანათმშენებლობა.

ა. იუდინი.

ᲘᲣᲙᲐ (Yucca), ერთლებნიან, მეტწილად მერქნიან მცენარეთა გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. ღეროს წვერზე 1 *მ*-ზე მეტი სიგრძის კონებად შეკრებილი, ჩვეულებრივ ეკლიანი, ხეშეში და ბრტყელი ფოთლები აქვს. მისი 30 სახეობა გავრცელებულია ცენტრ. ამერიკასა და ჩრდ. ამერ. სამხრ. ნაწილში. ზოგი სახეობის ფოთლებიდან ილებენ ბოჭკოს — *ჰიტას*. სსრკ-ის სამხრ. რ-ნებში მოშენებულია დეკორ. მცენარედ.

ᲘᲣᲙᲐᲒᲘᲠᲔᲑᲘ (საკ. სახელწ. ᲝᲓᲣᲚᲘ), აღმ. ციმბირში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხი. რაოდ. 0,6 ათ. კაცი (1970, აღწერა), ენა — იუკაგირული. განეკუთვნება პალეოაზიურ ჯგუფს. Ი. ითვლებიან ჩრდ.-აღმ. აზიის უძველეს აბორიგენებად. ძველად მთავარი საქმიანობა იყო ირმებზე ნადირობა და თევზჭერა. საბჭ. ხელისუფლების პირობებში Ი-ის ყოფასა და კულტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ს. იუდინი.

ᲘᲣᲙᲐᲒᲘᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ (მოძველებული ᲝᲓᲣᲚᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ), განცალკევებით მდგომი უმწერლობო ენა, რ-საც პირობითად მიაკუთვნებენ პალეოაზიურ ენებს. გავრცელებულია იაკუტ. ასსრ-ში. ლაპარაკობს 300 კაცი (1970, აღწერა). აგლუტინაციური ენაა, სიტყვაწარმოება და სიტყვაცვალება ხდება პრეფიქსაცია-სუფიქსაციით. წინადადებაში სიტყვათა რიგი მყარია. ლექსიკაში ჭარბადაა ნასესხები სიტყვები.

ᲘᲣᲙᲐᲕᲐ (Yukawa) ჰიდეკი (დ. 23. I. 1907, ტოკიო), იაპონელი ფიზიკოსი. 1929 დამთავრა კიოტოს უნ-ტი. 1948 მიიწვიეს პერსპექტიულ გამოკვლევათა ინ-ტში (პრინსტონი, აშშ). იაპ. მეცნ. აკად. წევრი (1946-იდან). მისი უმთავრესი შრომები ეხება ბირთვული ძალების მეზონური თეორიისა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის საკითხებს. 1935 წამოაყენა ჰიპოთეზა *მეზონების* არსებობის შესახებ. მიიღო ნუკლონების ურთიერთქმედების კანონი, რ-იც ხორციელდება მეზონების გაცვლით (Ი-ს პოტენციალი). სსრკ მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1966), ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1963). ნობელის პრემია (1949).



იუკა. (Iucca gloriosa). აყვავებული მცენარე; ა— ყვავილის სიგრძივი ჭრილი.

ᲘᲣᲙᲐᲢᲐᲜᲘ (Yucatán), ნახევარკუნძული ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკის ყურესა და კარიბის ზღვას შორის. ტერიტ. დიდი ნაწილი ეკუთვნის მექსიკას, სამხრ.-აღმ. ნაწილი — გვატემალასა და ბელიზს. ფართ. დაახლ. 180 ათ. *კმ*². ზედაპირი დაბლობი და ბორცვიანი ვაკეა. აგებულია ნეოგენური კირქვებით. განვითარებულია კარსტი. Ი-ის სამხრ.-აღმ. ნაწილშია 1122 *მ* სიმაღლის მთის მასივი მაია. ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. ნაპირები დაბალი და ლაგუნურია, აღმ.—ფლატოვანი და შეჭრილ-შემოჭრილი. ნაპირები მარჯვნის რიფებით არის შემოსაზღვრული. ჰავა ტროპ., პასატური, ცხელია. იანვ. საშ. ტემპ-რაა 22—23°C, მაის-ივლ. 27—28°C. ნალექები 500 *მმ* (ჩრდ.) და 2000 *მმ* (სამხრ.) წელიწადში. ხარობს ქსეროფიტული ბუჩქნარი, არის მეჩხერი (ჩრდ-ში) და ნოტიო ტროპ. მარადმწვანე ტყეები (სამხრ-ში).

ᲘᲣᲙᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲘ, სრუტე ატლანტის ოკეანეში, იუკატანის ნ.-კ-სა და კ. კუბას

ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲘ.

შორის. აერთებს მექსიკის ყურესა და კარიბის ზღვას. სიგანე 200 *კმ*, მაქს. სიღრმე 2779 *მ*.

ᲘᲣᲙᲝᲜᲘ (Yukon, ადგილ. ინდიელთა ენაზე — დიდი მდინარე), მდინარე კანადასა და აშშ-ში (ალასკა). სიგრძე 3700 *კმ*, აუზის ფართ. 855 ათ. *კმ*². სათავე აქვს იუკონის ზეგნის სამხრ.-აღმ-ით მდებარე მთებში. მთავარ სათავედ ითვლება მდ. ლუისი. ერთვის ბერინგის ზღვის ნორტონის ყურეს. შესართავთან ქმნის დელტას. მთავარი შენაკადებია: მარცხ.—ტანანა, მარჯვ.—პელი, პორკიუპაინი. ძირითადად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობაა მაის-ივნისში. წყლის მაქს. ხარჯი შუაწელში 5—7 ათ. *მ*³/*წმ*, საშ. ხარჯი დაახლ. 2,5 ათ. *მ*³/*წმ*. გაყინულია ოქტიდან მაისამდე. Ი-ის ქვემო და შუა დინება პირველად გამოიკვლია რუსმა საზღვაო ოფიცერმა ლ. ზაგოსკინმა 1843. Ი. მდიდარია ჰიდროენერგეტ. რესურსებით. საწაოსნოა შესართავიდან 3200 *კმ*. დიდი ნაკმისადგომებია: ტანანა (ალასკა), უაიტჰორსი, დოსონი (კანადა).

ᲘᲣᲙᲝᲜᲘ (Yukon), ზეგანი ალასკასა (აშშ) და კანადაში. შედგება ვრცელი მასივებისა (1500—2000 *მ*) და მათ შორის მდებარე ტექტონ. ქვაბულებისაგან (200 *მ*-მდე). აგებულია კამბრიულისწინა და პალეოზოური დანალექი და კრისტ. ქანებით. ჰავა სუბარქტიკული, კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რაა —10-იდან — 30°C-მდე, ივლ. 9—15°C. ნალექები 250—300 *მმ* წელიწადში. გავრცელებულია მარადი მზრალობა. დიდი მდინარეა იუკონი. მდინარეთა ჭალებში დაბალტანიანი ტირიფისა და ალვის ხის ტყეებია, ტერასებსა და ხეობების ფერდობებზე — თეთრი ნაძვისა და ამერ. (დაურიული) ლარიქსის ტყეები, 600—700 *მ*-ზე და უფრო მაღლა — ბუჩქოვანი და მდელო-ტუნდრის მცენარეულობა, ცხოველებიდან გვხვდება მურა დათვი, ტყის ირემი, ლოსი, ფოცხვერი, ყარსაღი, ლემინგი, ჩრდილოეთის ირემი. ხე-ტყის დამუშავება. წიაღისეულიდან მოიპოვება ოქრო, სპილენძი, ტყვია და ქვანახშირი.



„ᲘᲣᲜᲐᲜᲘᲢᲔ“.

ᲘᲣᲙᲝᲜᲘ (Yukon), ტერიტორია ჩრდ.-დას. კანადაში, ჩრდ. ყინულოვანი ოკ. სანაპიროზე. ფართ. 536 ათ. *კმ*². მოსახლ. 21,4 ათ. კაცი (1976). ადმ. ც. — ქ. უაიტჰორსი. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს იუკონის ზეგანს. ჰავა სუბარქტიკული, კონტინენტურია. ნალექები 250—300 *მმ* წელიწადში. Ი. აითვისეს 1896 ბოუნენზაკრიკის ოქროს საბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით (ცნობილი კლონდაიკის „ოქროს ციებ-ცხელება“). ეკონ. საფუძველია ოქროს მოპოვება, იღებენ აგრეთვე პოლიმეტალებს, ვერცხლს, ქვანახშირს, ვოლფრამს. Ი. მდიდარია ბუნებრივი აირითა და ნავთობითაც. თევზჭერა (ორაგული, კალმახი, ჰარიუსი, სიგი).

ᲘᲣᲚᲓᲐᲨᲝᲚᲚᲝ ფაზილ (1872, ყიშლაღი ლოიყა, სამარყანდის რ-ნი, ახლანდ. ბულუნლურის რ-ნი, — 17. III. 1955, იქვე), უზბეკი პოეტი, ხალხური მთქმელი. სკკპ წევრი 1940-იდან. ბავშვობა და ახალგაზრდობა მწყემსობაში გაატარა. ოქტ. რევოლუციას აღტაცებით შეხვდა. ბასმაჩების წინააღმდეგ უზბ. ხალხის ბრძოლას მიუძღვნა პოემა „ოჩილ-დოვი“. დიდ სამამულო ომს გამოეხმაურა სიმღერებით („ჩემი არმია“ და სხვ.). აღსანიშნავია მისი ღვაწლი ფოლკლორისტიკაში. Ი-ს საშემსრულებლო რეპერტუარიდან ჩაწერილია ხალხ. შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშები: „ალფამიში“, „ბაჰრამ და გულანდამი“, „ჯაჰანგირი“, „ფარჰად და შირინი“ და სხვ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲐ (Juliana) ლუიზა ემა მარია ვილჰელმინა (დ. 30. IV. 1909, ჰაგა), ნიდერ. დედოფალი 1948-იდან. განათლება მიიღო ლეიდენის უნ-ტის სამართლის ფაკულტეტზე. ფაშისტური გერმანიის მიერ ნიდერლანდის ოკუპაციის (1940—45) წლებში ემიგრაციაში იყო ინგლისსა და კანადაში.

ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲔ, *აფსილეთის* მთავარი II ს. I ნახევარში. მეფობა მიუღია რომის იმპ. ტრაიანესაგან (98—117). მოიხსენიებს ფლავიუს *არიანე*.

წყარო: ა რ ი ა ნ ე ფლავიუს, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეჟაღმაძის გამოც., თბ., 1961.

ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲔ ᲛᲐᲜᲓᲒᲝᲛᲘᲚᲘ ფლავიუს კლავდიუს (Flavius Claudius Julianus Apostata) (332—363), რომის იმპერატორი 361-იდან, იმპ. კონსტანტინე დიდის ძმისშვილი. იმპ. კონსტანციუსმა კაპადოკიაში გადაასახლა (345—351). ნიკომედიაში ფილოსოფოს მაქსიმუსის გავლენით ქრისტიანობა უარყო. 355 გალიაში გააგზავნეს. 357 სტრასბურგთან დაამარცხა ფრანკები და ალემანები. 360 ჯარმა იმპერატორად გამოაცხადა. კონსტანციუსი მის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს გარდაიცვალა. Ი. მ-მა აღადგინა წარმართობა, დევნიდა ქრისტიანობას. დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡ II (Julius II), ერისკაცობაში ჯ უ ლ ი ა ნ ო დ ე ლ ა რ ო ვ ე რ ე (Giuliano della Rovere) (5. XII. 1443, ალბიზოლა, სავონის მახლობლად, — 21. II. 1513, რომი), რომის პაპი 1503—13. ებრძოდა ჩეზარე ბორჯას. გააქტიურა ინკვიზიციის საქმიანობა. ინდულგენციებით ვაჭრობით ხელს უწყობდა რომის კურიის გამდიდრებას. დიდ ყურადღებას აქცევდა პაპის ხელისუფლების განმტკიცებას (1506 შეიერთა ბოლონია და პერუჯა); წამოაყენა იტალიის უცხოელებისაგან განთავისუფლების ლოზუნგი, ფაქტობრივად კი ხელი შეუწყო იტალიაში ესპ. გავლენის გაძლიერებას და მის მიერ ნეაპოლის სამეფოს დაპყრობას. Ი. II მფარველობდა მხატვრებს, მის დროს რომში მოღვაწეობდნენ ბრამანტე, რაფაელი, მიქელანჯელო. დაიწყო წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობა.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡᲔᲑᲘ (ლათ. Julii), ძვ. რომის არისტოკრატიულ-პატრიციული საგვარეულო. წარმოშობით ქ. ალბა-ლონგიდან იყვნენ. რომში დაასახლა მეფე ტულუს ჰოსტილიუსმა მას შემდეგ, რაც ალბა-ლონგა დაანგრია. Ი. თავიანთ წარმომავლობას უკავშირებდნენ იულუსს, აფროდიტეს ძის ენეას ვაჟს (აქედან იღებს სათავეს მითი Ი-ის „ღვთაებრიობის“ შესახებ). Ი-ს რომში სხვადასხვა დროს მაღალი თანამდებობები ეჭირათ, მაგრამ მათი აღზევება ერთბაშად იწყება იულიუს კეისრის დროიდან. Ი-ის კულტის ყველაზე დიდი გამოხატულებაა ძვ. წ. I ს. რომის შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი — პანთეონი, მიძღვნილი Ი-ის „მფარველი ღმერთებისადმი“.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡᲘᲡ ᲐᲚᲞᲔᲑᲘ (Juliske Alpe, Alpi Jiulie), აღმ. ალპების სამხრ. ტოტი, მდ. სოჩას (იზონცო) და მდ. სავას შორის, იუგოსლავიასა და იტალიაში. ძლიერ დანაწევრებული საშ. სიმაღლის მთებია. სიგრძე დაახლ. 100 *კმ*, მაქს. სიმაღლე 2863 *მ* (მთა ტრიგლავი, იუგოსლავიის უმაღლესი წერტილი). აგებულია მეზოზოური კირქვებითა და დოლომიტებით. აქვს ძვ. გამყინვარების ნიშნები. განვითარებულია კარსტი. 1800—1900 *მ*-მდე ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებია, მაღლა — მთის მდელოები.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ, 7980 *წ* ხანგრძლივობის დროის შუალედი, რ-საც იყენებენ სხვადასხვა ასტრონომიული და ქრონოლოგიური გამოთვლებისათვის. Ი. პ. უმცირესი ჯერადია 3 ციკლისა (7980=28·19·15): მზის 28-წლიანი ციკლისა, რ-ის განმავლობაში კვირის დღეების სახელწოდებები უბრუნდება თვის ერთსა და იმავე რიცხვებს; მთვარის 19-წლიანი *მეტონის ციკლისა*, რ-ის შემდეგ მთვარის ფაზები ემთხვევა თვეების ერთსა და იმავე რიცხვებს, და ე. წ. რომის ინდიქტიონის 15-წლიანი პერიოდისა, რ-ის გავლის შემდეგ რომის იმპერიაში ახდენინებდნენ განსაკუთრებულ გამოსაღებს. 1583-იდან ფრანგი მეცნიერის ჟ. სკალიგერის ინიციატივით შემოღებულია დროის აღრიცხვა ე. წ. იულიუსის დღეებით. ამგვარი აღრიცხვის საწყისია ძვ. წ. 4713 წ. 1 იანვ. შუადღე გრინვიჩის (მსოფლიო) დროით (ეს წელი პირველი წელი იყო ყველა ციკლისათვის). ასტრონომიაში ზოგიერთი დაკვირვების თარიღს გამოსახავენ იულიუსის დღეებით. მაგ., 1976 წ. 2 აგვ. დღის 3 საათს შეესაბამება 2442993,125 იულიუსის დღე. Ი. პ-ის შესაბამისი დღეები მოცემულია ასტრონ. წელიწდეულებში და კალენდრებში.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ (ძვ. სტილი), ალექსანდრიელი ასტრონომის, სოსიგენეს მიერ შედგენილი და იულიუს კეისრის მიერ ძვ. წ. 46 შემოღებული წელთაღრიცხვის სისტემა. ყოველი წელიწადი, რ-ის ნომერი ოთხზე იყოფა, ნაკიანია და შეიცავს 366 *დღ-ღ*, დანარჩენი წლები კი — 365 *დღ-ღ*. ამრიგად, Ი. კ-ში წელიწადის საშ. ხანგრძლივობაა 365,25 *დღ-ღ* და იგი 0,0078 *დღ-ღ*-ით მეტია *ტროპიკულ წელიწადზე*. Ი. კ-ის ცდომილებაა 3 *დღ-ღ* 400 წელიწადში. 1582 Ი. კ. შეცვალეს გრიგორიანული კალენდრით (ახ. სტილი); იხ. *კალენდარი*.

ᲘᲣᲚᲘᲣᲡ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲘ, ᲪᲔᲖᲐᲠᲘ (Julius Caesar) გაიუს (ძვ. წ. 13. VII. 100—ძვ. წ. 15. III. 44), ძვ. რომის პოლიტ. მოღვაწე, მხედართმთავარი, რეფორმატორი, მწერალი და ორატორი. დაიბადა პატრიციების ოჯახში. თავისი დროისათვის ღრმად იყო განსწავლული მეცნ. ყველა დარგში. ჭაბუკობიდანვე სახელი გაითქვა ნიჭიერებით, გამჭრიახობითა და ნებისყოფის სიმტკიცით. მისი ახალგაზრდობა დაემთხვა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს არისტოკრატიათა (ოპტიმატები) და სახალხო (პოპულარები) პოლიტ. დაჯგუფებათა შორის. Ი. კ. პოპულარებს თანაუგრძნობდა, რისთვისაც დიქტატორ სულას რისხვა დაიმსახურა. სულას სიკვდილის შემდეგ Ი. კ. აქტიურად იბრძოდა „სულამდელი დემოკრატიის“ აღსადგენად და ხალხში დიდი სიყვარული და ნდობა მოიპოვა. რომი დაამშვენა დიდებული ნაგებობებით, მართავდა ბრწყინვალე სანახაობებს. ძვ. წ. 68 კვესტორის მაგისტრატურა ეჭირა, 65 იყო ედილი, 62 — პრეტორი. იმავე წელს სამმართველოდ ესპანეთი მიიღო; 60 Ი. კ-მა სენატის წინააღმდეგ კავშირი შეკრა პომპეუსთან და კრასუსთან (პირველი ტრიუმვირატი), 59 კონსული გახდა და სენატის საწინააღმდეგოდ გაატარა კანონები ტრიუმვირთა და პოპულართა სასარგებლოდ. 58 დაიწყო გალიის ომები; მთლიანად დაიპყრო გალია, გერმანია და ბრიტანეთი. 51 ჩაახშო გალების აჯანყება, რ-საც ვერცინგეტორიქსი მეთაურობდა. 50-იან წლებში ერთპიროვნული ხელისუფლებისათვის განხეთქილება ჩამოვარდა პომპეუსსა და Ი. კ-ს შორის (კრასუსი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო). 49 წ. 10 იანვ. Ი. კ. მიადგა მდ. რუბიკონს, საზღვარს ციზალპიურ გალიასა და იტალიას შორის. მისი გადალახვა არმიის თანხლებით რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავდა. Ი. კ-მა მდინარე გადალახა (აქედან გამოთქმა — რ უ ბ ი კ ო ნ ი ს გ ა დ ა ლ ა ხ ვ ა). პომპეუსი თავისი მომხრეებით (არისტოკრატ-ოპტიმატები) რომიდან საბერძნეთს გაიქცა. Ი. კ. დაედევნა. 48 წ. 9 აგვ. ფარსალთან მორიგ გადამწყვეტ ბრძოლაში Ი. კ-მა სასტიკად გაანადგურა მოწინააღმდეგე; პომპეუსი ეგვიპტეს გაიქცა, სადაც პტოლემე XII-ის ბრძანებით მოკლეს. Ი. კ. ეგვიპტურ ბრძოლაში ჩაერია, გაიმარჯვა *ალექსანდრიის ომში* და ეგვ. ტახტზე მასთან გამოჯნურებული კლეოპატრა დასვა. 47 Ი. კ-მა სწრაფი მარშით გაანადგურა პონტოში შემოჭრილი ბოსფორის მეფე ფარნაკე და ამის შესახებ რომს სამი სიტყვით აცნობა: „მოვედ, ვნახე, დავამარცხე“ (veni, vidi, vici). 46 წ. 6 აპრ. Ი. კ-მა

ںაფსუსთან (ჩრდ. აფრიკა) ბრძოლაში ںაანადგურა „რესპუბლიკელები", რ-თაც ںატონ უმცროსი მეთაურობდა, ხოლო 45]. 17 მარტს მუნდასთან (ესპანეთი) და- ںმარცხა პომპეუსის ვაჟები და მათი უკა- ںასკნელი მომხრეები. O. კ-მა დაასრულა ںამოქალაქო ომები, ამიერიდან ის ფაქ- ںობრივად რომის ერთპიროვნული, შეუ- ںღლუდველი მბრძანებელი გახდა. 63-იდან]. კ. პონტიფექს მაქსიმუსი (უზენაესი ںურუმი) იყო, 46 წ. 10 წლით დიქტატორად ںირჩიეს. მის სიცოცხლეშივე შეიქმნა ںღვთაებრივი იულიუსის კულტი", ჰქონ- ںდა იმპერატორის ტიტული. მისი სახელი- ںეისარი შემდეგ მონარქის აღმნიშვნელ ںზოგად სახელად იქცა. O. კ-მა სამოქალა- ںო ომების შედეგად ძლიერ შერყეული ںახელმწიფოს სტაბილიზაცია მოახდინა, ںაძლიერა არმია, გაზარდა სენატის შე- ںადგენლობა, დააარსა კოლონიები, მხედ- ںრებისათვის და დაბალი ფენებისათვის ںასარგებლო კანონები გაატარა: თითქმის ںO ათასმა უქონელმა მიწის ნაგელი მი- ںიღო. შეამცირა საიჯარო გადასახადი, ںაუმჯობესა პროვინციის მმართველობა— ںეზღუდა მოხელეების თვითნებობა, აკრ- ںალა რომის მოქალაქის თვითნებურად, ںაუსამართლებლად მოკვლა. შემოიღო კა- ںენდარი და სხვ. O. კ. თავისუფალი მო- ںახლეობის ფენებზე დაყრდნობით ცდი- ںლობდა თავისი გეგმის განხორციელე- ںას—ელინისტური ტიპის მონარქიის შექმ- ںას, მაგრამ სენატორული არისტოკრატი- ںს ნაწილი ჯერ კიდევ ერთგული იყო რო- ںის რესპ. ტრადიციებისა. კეისრის წინა- ںღმდეგ მოეწყო შეთქმულება და კასიუს ںეონგინუსმა, მ. იუნიუს ბრუტუსმა, დ. იუ- ںიუს ბრუტუსმა და სხვ. სენატის სხდომის ںროს O. კ. მოკლეს. O. კ-ის ლიტ. მემკ- ںიდრეობიდან ჩვენამდე მოაღწია მემუა- ںული ხასიათის თხზულებებმა „გალიის ںომების შესახებ" და „სამოქალაქო ომების ںესახებ". ორივე ნაწარმოები ლათ. პრო- ںის საუკეთესო ნიმუშია. მის კალამს ეკუ- ںვნოდა პოემები, ტრაგედიები, პოლიტ. ںა რიტორიკული პამფლეტები, ფილოლ. ںა ფილოს. განსჯანი, რ-თაც ჩვენამდე არ ںაუღწევია.

თხზ.: Bellum Gallicum, Lpz., 1958; ںommentarii belli civilis, Lpz., 1969; Записки..., 2 изд., М., 1962.

წყარო და ლიტ.: ںალუტარქე, ںველი პარალელური ბიოგრაფიები, თარგმ. ںა კომენტ. ںა. ურუშაძისა, წგნ. 1, თბ., 1957; ںветоний Транквилл Гай, ںезарей, М., 1966; Момںзен Т., История Рима, пер. с нем., т. ںМ., 1941. *ლ. სანიკიძე.*

ںულონ ںატონიშვილი (ںაგრატიںნი) [4 (15). VI. 1760, პეტერბურგი,— (14). II. 1827], ერეკლე II-ისა და დაںეჯან დედოფლის შვილი, ქართლ-კახეںის სამეფო ტახტის პრეტენდენტი. რუںთისაგან მოითხოვდა გეორგიევსკის ტრںატის თანახმად აღმ. საქართველოს ںილიტ. დამოუკიდებლობის აღდგენას. მںე სოლომონ II-თან გაიქცა იმერეთში და ںალციხის ფაშის მეთაურებით მოლაპარںება გამართა ოსმალეთთან ცარიზმის წںააღმდეგ დახმარების თაობაზე. 1805 ںუსეთში გადაასახლეს. ცხოვრობდა პეںერბურგში. დასაფლავებულია ალექსںრე ნეველის ლავრაში სხვა ქართველ ںონიშვილთა გვერდით.

ლიტ.: ںარამიძე ა., შინაპოლიტںური ბრძოლის ერთი მაგალითი XVIII ს-ის ںასსრულისა და XIX ს-ის დასაწყისის ქართںული ეპისტოლარულ წყაროებში, კრ.: ძიებანი საںართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., ں 76; ںჯავახიშვილი ივ., საქართველںის სამეფო ტახტის შემკიდრეები მეფის ძںგით და ბატონიშვილი იულონ, «მოამბე», ںO, № 4, განყ. 2. *არ. ںარამიძე.*

ںუںანიტე« („L'Humanité"), ფრანںული ყოველდღიური გაზეთი, გამოდის ںO4-იდან პარიზში, დააარსა ჟ. ჟორეს-], როგორც საფრ. სოციალ. პარტიის ორںნო. 1920-იდან საფრ. კომპარტიის ცენტრ. ორგანოა. II მსოფლიო ომამდე გაზეთი თანამიმდევრულად იბრძოდა მშვიდობის, დემოკრ. თავისუფლებისა და მშრომელთა საერთაშ. სოლიდარობისათვის, კოლონ. ომებისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, რამაც დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. გაზეთში თანამშრომლობდნენ ა. ფრანსი, პ. ლანჟევენი, რ. როლანი, ა. ბარბიუსი და საფრ. კულტ. და მეცნ. სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. 1935 დალადიეს მთავრობამ „O." აკრძალა; ამის შემდეგ გაზეთი არალეგალურად გამოდიოდა (გამოიცა 316 ნომერი). გერმ. ფაშისტთა მიერ საფრ. ოკუპაციის დროს (1940—44) „O." საფრ. კომპარტიის მგზნებარე პროპაგანდისტი იყო. საფრ. მშრომელები დიდ ფინანს. დახმარებას უწევდნენ და ავრცელებდნენ თავის მებრძოლ გაზეთს. „O-ს" აქვს საკვირაო გამოცემა „იუმანიტე-დიმანში" („L'Humanité Dimanche"). „O-ს" ტირაჟია 217 ათ. ც., საკვირაო გამოცემისა — 520 ათ. ც. (1979).

ںუںაںევი ივანე სტეფანეს ძე (9. X. 1895, თბილისი, — 2. X. 1972, ლენინგრადი), საბჭ. სამხ.-საზღ. მოღვაწე, ადმირალი (1943), საბჭ. კავშირის გმირი (14. IX. 1945). სკკპ წევრი 1918-იდან. სამოქალაქო ომის (1918—20) დროს მსახურობდა ვოლგა-კასპიის სამხ. ფლოტილიაში (1918-იდან), ბალტიის ფლოტში (1920-იდან). სამოქალაქო ომის შემდეგ მეთაურობდა ლინკორს, საესკადრო ნალოსნების დივიზიონსა და კრეისერთა ბრიგადას. 1925 დაამთავრა ფლოტის მეთაურთა სპეც. კურსები, 1932 ვოროშილოვის სახ. სამხ.-საზღვ. აკადემიასთან არსებული ხომალდების მეთაურთა კურსები. 1937—39 იყო შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსი, სარდალი, 1939—47 — წყნარი ოკეანის ფლოტის სარდალი, 1947—51 — სამხ.-საზღვ. ფლოტის მთავარსარდალი და სამხ.-საზღვ. მინისტრი, 1951-იდან—სამხ.-საზღვ. აკად. უფროსი. 1957 გადადგა. 1941—56 სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი. სსრკ II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

ںუںი, ںიუმი (Hume), დეივიდ (7. V. 1711 — 25. VIII. 1776), ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ეკონომისტი და პუბლიცისტი. დაიბადა შოტლანდიაში, უმაღლესი განათლება მიიღო ედინბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. უმთავრესი ფილოს. შრომები: „ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ" (ანონიმურად გამოსცა 1739), „გამოკვლევა ადამიანური შემეცნების შესახებ" (1748) ეხება შემეცნების პრობლემებს. ამ შრომებში ჩამოყალიბებულია აგნოსტიკური თეორია ინგლ. ემპირიზმის (ლოკი, ბერკლი) განვითარების საფუძველზე და მოცემულია მომავალი პოზიტივიზმის პრინციპები. O-ის შემეცნების თეორია ფსიქოლ. საფუძველზეა აგებული. მთელი ცოდნა დაყვანილია შთაბეჭდილებებზე (შეგრძნებებზე) და იდეებზე (წარმოდგენებზე). შთაბეჭდილებანი შეგრძნების უშუალო შედეგია, იდეები — მათი გახსენებისა, ე. ი. ცნობიერების შინაარსი დაყვანილია შეგრძნებებსა და წარმოდგენებზე. შეგრძნებები ორგვარია: გარეგანი (ფერის, სუნის, ფორმის განცდა) და შინაგანი (საკუთარი განცდები: შიმშილი, ტკივილი). შეგრძნებები და წარმოდგენები მარტივია და მათი გაერთიანებით მიიღება რთული იდეები. იდეათა კავშირის კანონები ასოციაციის კანონებია (მსგავსების, დროსა და სივრცეში მეზობლობის, მიზეზისა და მოქმედების კანონები) და მთლიანად სუბიექტის კუთვნილებაა. ფილოს. კატეგორიები (სუბსტანცია, მოდუსი, მიზეზობრიობა და სხვ.), ასოციაციის პრინციპით, მარტივი იდეების გაერთიანების შედეგია. ამიტომ არ არსებობს არც სუბსტანცია, არც მიზეზობრიობა. მათი ობიექტურად არსებობის დაშვება მათი შეუმეცნებლობის აღიარებაა. მიზეზობრიობის შემთხვევაში არის მხოლოდ „ამის შემდეგ" და არა „ამის გამო". ამიტომ შეცდომაა Post hoc, ergo propter hoc (ამის შემდეგ, მაშასადამე, ამის გამო). ცოდნა ემყარება რწმენას, რაც წინათ მოხდა, მომავალშიც გამეორდება. ამიტომ ფაქტების შემსწავლელი მეცნიერება თეორიულად გაუმართლებელია, იგი ვერ ადგენს ფაქტთა კანონებს, მიზეზობრივ კავშირებს. მეცნიერებანი, რ-ნიც ფაქტებს არ სწავლობენ, იდეებს ემყარებიან და მათ აკავშირებენ ფაქტებისათვის სრულიად უცხო გონების აუცილებლობით. O-ის ემპირიზმი ჰედონისტურ ეთიკას ჰქმნის. მას სიკეთე გრძნობადს სიამოვნებაზე დაჰყავს, მორალურ ღირებულებათა საზომად აცხადებს სუბიექტს, მისი ესთეტიკური თვალსაზრისიც მხოლოდ სუბიექტის ესთეტიკურ ემოციებს ემყარება. O. ავტორია „ინგლისის ისტორიისა" (8 ტომი), აგრეთვე „ესეებისა". ეკონ. აზრის ისტორიაში O-ის დიდი დამსახურებაა მერკანტილიზმის კრიტიკა და შრომითი ღირებულების თეორიასთან (სმითი) მიახლოება. მისი მოძღვრების პროგრესული მხარეა რელიგ. კრიტიკა, რითაც იგი ფრანგულ მატერიალიზმთან იყო დაკავშირებული.

ი. იუმაშევი.

თხზ.: Selections, N. Y. — Chi., [1927]; The philosophical works, v. 1—2, L., 1898; Сочинения в двух томах, М., 1966.

ლიტ.: ںაქრაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969; გოგიںერიძე მ., ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1940; ںანელია ს., ლიტერატურული და ფილოსოფიური წერილები, თბ., 1941; Нарский И. С., Давид Юм, М., 1973. *მ. ჭელიძე.*

ںუںორესკა (გერმ. Humoreske), 1. გასართობი, ჩვეულებრივ სახუმარო, იუმორისტული ხასიათის მცირე ზომის მუსიკალური პიესა. ეს ჟანრი შემოიღო რ. შუმანმა (ფორტეპიანოსათვის, 1839; საფორტეპიანო ტრიოსათვის, 1842). O-ები შექმნეს ე. გრიგმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ს. რახმანინოვმა, ა. დვორჟაკმა და სხვ., კამერული ორკესტრისათვის — ო. თაქთაქიშვილმა. 2. პროზად ან ლექსად დაწერილი მცირე ფორმის იუმორისტული ნაწარმოები, რ-შიც გაკიცხულია რაიმე მოვლენა ყოველდღიური ცხოვრებიდან.

ںუںორი (ინგლ. humour), უწყინარი დაცინვა, რაიმე ნაკლოვანი მხარის კომიკური ასახვა; ლიტ-რის ან ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოებებში: მხატვრული ხერხი, როცა ავტორი ამხელს იმ პირთა (მოვლენათა) სუსტ. ნაკლოვან მხარეებს, რ-თა მიმართ იგი საერთოდ კეთილგანწყობილია; კომიკურად წარმოგვიდგენს იმას, რასაც თვითონ სერიოზულად ეკიდება.

დ. იუმი.

ںუںაںიტედ ںრესს ںინტერნეںშენლ (ںუںںO — United Press International), აშშ-ის უდიდესი საინფორმაციო სააგენტო. შეიქმნა ნიუ-იორკში 1958; ამ სააგენტოს ინფორმაციით სარგებლობს აშშ-ის 1180 გაზეთი, 3200-მდე რადიო- და ტელესადგური; ჰყავს 2500 თანამშრომელი და რამდენიმე ათასი უშტატო კორესპონდენტი. აქვს 250 განყ-ბა და საკორესპონდენტო პუნქტი, ხოლო საზღვარგარეთ 100-ზე მეტ ქვეყანაში ჰყავს კორესპონდენტი.

„ںუںაںიტედ სტეიტს სტილ" (United States Steel), შავი მეტალურგიის უდიდესი მონოპოლია აშშ-ში. დაარსდა 1901. ამზადებს ფოლადის მილებს, ცემენტს, ქიმ. პროდუქციას ქვანახშირისაგან, სამრეწვ. მოწყობილობებს და სამხ. ტექნიკას, გემებს, თვითმფრინავებს; უზრუნველყოფს სარკინიგზო, სამდ. და საზღვ. ტვირთის გადაზიდვას. აშშ-ში, კანადასა და ბრაზილიაში ფლობს რკინის მადნის უმდიდრეს საბადოებს, რ-თა საერთო მარაგია 2 მლრდ. ტ. „O. ს. ს." ქვანახშირს მოიპოვებს აშშ-ში, ხოლო მანგანუმს, ქრომს და სხვ. ლითონების შემცველ მადნებს — ბრაზილიაში, გაბონში, საფრანგეთსა და სამხრ. აფრ.

რესპუბლიკაში, ნიკელსა და კობალტს — ინდონეზიაში, დოლომიტის კირქვებს — აშშ-სა და ბაჰამის კ-ებზე. მონოპოლია მორგანების ფინანს. ჯგუფის გავლენის სფეროშია. 1975 გაყიდა 8,2 მლრდ. დოლარის საქონელი; მიიღო წმინდა მოგება 560 მლნ. დოლარი; გამოადნო 24 მლნ. ტ ფოლადი, საწარმოებში დასაქმებული იყო 173 ათ. კაცი.

იუნანი, პროვინცია სამხრ.-დას. ჩინეთში. ფართ. 380 ათ. *კმ*². მოსახლ. 28 მლნ. კაცი (1976). ადმ. ც. — ქ. კუნმინი. ზედაპირი მთიანია. საშ. სიმაღლე 1000—2500 *მ*, მაქს. — 5000 *მ*-ზე მეტი. O-ის დას. ნაწილი უჭირავს *ჩინეთ-ტიბეტის მთიებს*, აღმ.—*იუნანის მთიანეთს*. ჰავა პროვ. დიდ ნაწილში სუბტროპ. მუსონურია, სამხრ. ნაწილში — ტროპიკული. ნალექები 1000—2000 *მმ* წელიწადში, მთაში — დაახლ. 3000 *მმ*. O. ეიდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. განვითარებულია მეტალ., ლითონდასამუშ., ქიმ., ცემენტის, ტყავის, ხის დასამუშ., საფეიქრო, კვების მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრია ქ. კუნმინი.

O-ის მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოჰყავთ ბრინჯი, ხორბალი, ქერი, სიმინდი, შაქრის ლერწამი, თამბაქო, ჩაი, უკიდურეს სამხრ. ნაწილში იზრდება ყავისა და ქინაქინის ხეები, კაუჩუკოვნები, ზეთის პალმა. სასაქონლო მნიშვნელობისაა მეღორეობა, მეაბრეშუმეობა. ამზადებენ ხე-ტყეს.

ძვ. წ. III—II სს-ში ახლანდ. O-ის ტერიტორიაზე არსებობდა რამდენიმე მცირე სახელმწიფო, მ. შ. უძლიერესი იყო დიანის სამეფო, რ-იც ძვ. წ. II ს-ში ჩინ. ხანის იმპერიამ შეიერთა. III—VI სს-ში O-ის ტერიტ. სამხრ. ჩინეთის სხვადასხვა სამეფოების შემადგენლობაში შედიოდა. VII ს-ში O-ში შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო ნანჯაო (ჩინ. ვასალი). XIII ს-ში იგი მონღოლებმა დაიპყრეს და *იუანის* იმპერიას შეუერთეს. XIV ს. შუა წლებში აქ შეიქმნა ოლქი, რ-იც XVII ს-ში O-ის პროვინციად გადაიქცა. XIX ს-ში O. ევრ. კაპიტალ. სახელმწიფოების აგრესიის ობიექტი გახდა. *იბეტუანთა აჯანყების* (1899—1901) დროს O-ში ეწყობოდა ანტიიმპერიალ. გამოსვლები. იმპერიალისტებმა რამდენიმეჯერ შეიყვანეს პროვინციაში თავისი ჯარები. 1949 დამლევს სახ.-განმათ. არმიამ გაათავისუფლა გომინდანელი რეაქციონერებისაგან.

იუნანის ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ, მთიანეთი ჩინეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში. ესაზღვრება ბირმის, ლაოსისა და ვიეტნამის მთიან რ-ნებს. O. მ-ის ცენტრ. ნაწილი აგებულია ძვ. მეტამორფული ქანებით, კიდეები — პალეოზოური დანალექი ქანებით. გაბატონებული სიმაღლეებია 1500—2000 *მ*. ღრმად არის დანაწევრებული მდინარეთა ხეობებით. მთიანეთის დიდი ნაწილი შემოსილია ტყით. ჩრდ-ით ფოთოლმცვივანი ტყეებია, სამხრ. და სამხრ.-აღმ-ით— მთის სუბტროპიკული და ტროპიკული ტყეები. წიაღისეულიდან აღსანიშნავია კალა, სპილენძი, ვერცხლისწყალი, ქვამარილი.

იუნგერმანიალეები (Jungermanniales), მცენარეთა რიგი ღვიძლის ხავსების კლასისა. განეკუთვნება ღეროფოთლოვანი და თალუსოვანი ფორმები. მათი სასპორე კოლოფი (სპოროგონიუმი) 4 საგდულით იხსნება. კოლოფში სპორებთან ერთად არის უნაყოფო უჯრედები — ᲔᲚᲐᲢᲔᲠᲔᲑᲘ. ცნობილია 8100-მდე სახეობა, რ-ებიც მთელ დედამიწაზეა გავრცელებული, უფრო კი ტენიან ტროპ. ტყეებში ხარობს, სადაც ზოგჯერ მთლიანად ფარავს ნიადაგს, ხის ღეროებსა და ტოტებს. O-ის ყველაზე ცნობილი გვარებია პელია (Pellia) და პტილიდიუმი (Ptilidium).

იუნგი ედუარდ, იხ. *იანგი* ე.

იუნგი (Jung) კარლ გუსტავ (26. VII. 1875 — 7. VI. 1961), შვეიცარიელი ფსიქოლოგი, ზ. *ფროიდის* მოწაფე, *ფსიქოანალიზის* შვეიც. სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. დაამუშავა ფსიქოანალიზური კვლევის ორიგინ. მეთოდიკა — ასოციაციური ექსპერიმენტი, რ-მაც თავისი მეცნ. ღირებულებით, კერძოდ, დიაგნოსტიკური მნიშვნელობის გამო, ფართო აღიარება მოიპოვა. მასვე ეკუთვნის ფსიქოლ. ტიპების ცნობილი კლასიფიკაცია ექსტრავერტულ (უპირატესად გარესამყაროსაკენ მიმართულ) და ინტროვერტულ (უპირატესად საკუთარი განცდებისაკენ მიმართულ) ტიპებად. ზ. ფროიდის საწინააღმდეგოდ, ადამიანის ფსიქოლ. ცხოვრების განმსაზღვრელ ფაქტორებად, ნაცვლად სექსუალური მისწრაფებებისა. O. აღიარებდა სხვა ხასიათის, მაგრამ მაინც არაცნობიერ მისწრაფებებს, რის გამოც მისი თეორ. შეხედულებები მიუღებელი ხდება.

თხზ.: The collected works, v. 1—20, L., 1953—64; Психологические типы, пер. с нем., М., [1924].

ლიტ.: Асагиани М. М., Современное состояние вопроса теории и практики психоанализа по взглядам Юнга, М., 1910.

გ. მჭედლიშვილი.

იუნგი, ᲝᲜᲒᲘ (Young) ტომას (13. VI. 1773, მილვერტონი, სომერსეტშირი, — 10. V. 1829, ლონდონი), ინგლისელი მეცნიერი, სინათლის ტალღური თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი. 1811-იდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ექიმად ლონდონის წმ. გიორგის საავადმყოფოში, ხოლო 1818-იდან გრძედების ბიუროს მდივნადაც. შრომები აქვს ფიზიკაში, ქიმიაში, ფიზიოლოგიაში, მედიცინაში, ასტრონომიაში, გეოფიზიკაში, ტექნიკაში, ფილოლოგიაში, მეცნ. და ტექ. სხვა დარგებში. 1807 შემოიღო ე. წ. *იუნგის მოდული*. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა ეგვ. იეროგლიფების გაშიფვრისას.

თხზ.: A syllabus of lectures of natural and experimental phylosophy, pt. 1—4, L., 1802.

ლიტ.: Розенбергер Ф., История физики, пер. с нем., ч. 3, в. 1, М.—Л., 1935.

იუნგი (Jung) ᲰᲔᲠᲛᲐᲜ (1830 — 3. IX. 1901), შვეიცარიელი მუშა მესაათე. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. მონაწილეობდა 1848—49 გერმ. რევოლუციაში, შემდეგ ემიგრაციაში იყო ლონდონში. 1864—72 I ინტერნაციონალის გენ. საბჭოს წევრი. მხარს უჭერდა მარქსისტულ ხაზს, ებრძოდა პრუდონისტებსა და ანარქისტებს. ჰააგის კონგრესის (1872) შემდეგ პოზიცია შეიცვალა, ბრიტ. ფედერ. საბჭოს (ინტერნაციონალის ორგანიზაცია ინგლისში) ოპორტუნისტულ ლიდერებთან ერთად გამოვიდა კონგრესის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მოგვიანებით მონაწილეობდა ტრედუნიონისტთა მოძრაობაში.

იუნგის ᲒᲔᲒᲛᲐ, სარეპარაციო გეგმა I მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიისათვის; შეცვალა *დაუესის გეგმა*. O. გ. შეიმუშავეს რიგი კაპიტალ. ქვეყნების ექსპერტებმა ამერ. ფინანსისტის ო. იუნგის ხელმძღვანელობით 1929. O. გ-ის მიზანი იყო ამერ. კაპიტალისათვის გზის გახსნა ევროპაში, აგრეთვე გერმანიის სამხ.-სამრეწვ. პოტენციალის შემდგომი აღორძინება და მისი ექსპანსიის მიმართვა სსრკ-ის წინააღმდეგ. O. გ-ის მიხედვით გერმანიის სარეპარაციო გადასახდელი შემცირდა 20%-ით და უახლოესი 37 წლისათვის განისაზღვრა ყოველწლიურად 2 მლრდ. მარკის ოდენობით. O. გ. დაამტკიცეს 1930 იანვარში ჰააგის კონფერენციაზე. 1932 ლოზანის კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება O. გ-ის ლიკვიდაციის შესახებ (ამ დროს იგი ფაქტიურად უკვე აღარ მოქმედებდა).

იუნგის ᲛᲝᲓᲣᲚᲘ, ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲕᲘ ᲓᲠᲔᲙᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲣᲚᲘ, სიდიდე, რ-იც ახასიათებს მასალის დრეკადობის თვისებებს; ეღრის ამ მასალაში აღძრული ნორმალური ძაბვის ფარდობას მის ფარდობითს წაგრძელებასთან. შემოიღო ტ. *იუნგმა* (*იხ. დრეკადობის მოდული*).

ᲘᲣᲜᲒᲤᲠᲐᲣ (Jungfrau), მთის მასივი ბერნის ალპებში, შვეიცარიაში. სიმაღლე 4158 *მ*-მდე (მთა იუნგფრაუ). აგებულია უმთავრესად იურული ფიქლებით. მასივიდან ბევრი მყინვარი ეშვება.

ᲘᲣᲜᲒ-ᲨᲢᲘᲚᲘᲜᲒᲘ (Jung-Stilling) იოჰან ჰაინრიხ (12. IX. 1740, გრუნდი, ჰილხენბახის მახლობლად, ვესტფალია, — 2. IV. 1817, კარლსრუე), გერმანელი მწერალი. დაიბადა სოფლის წერილი ბურჟუის ოჯახში. 1778—1806 პროფესორის თანამდებობა ეკავა კაიზერსლაუტერნსა და ჰაიდელბერგში. ახალგაზრდობაში პოეტისტების მიმდევარი იყო, შემდეგ გაიტაცა სპირიტუალიზმმა და მისტიციზმმა. მეიმხრო პიეტისტების უკიდურეს ფრთას — სეპარატისტებს (მათი თეორეტიკოსი გახდა), რ-ებიც მოელოდნენ „ღვთის ათასწლოვანი მეუფეებს" (იხ. *ქილიაზმი*) დადგომას. თავის თხზულებებში O.-შ. მოუწოდებდა საცხოვრებელად გადასახლებულიყვნენ აღმოსავლეთში, კერძოდ, კავკასიაში — არარატის მთასთან და იქ შეხვედროდნენ „ღვთის ათასწლოვან მეუფეებს", რ-იც მისი გამოანგარიშებით, 1836 ან 1846 უნდა დამდგარიყო.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝ (United Nations Educational, Scientific and Cultural Organization — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულება. არსებობს 1946-იდან. 1979 წ. 1 იანვ-თვის O-ს წევრი იყო 140 სახელმწიფო (სსრკ, უკრ. სსრ, ბელორუს სსრ O-ს წევრებია 1954-იდან). O-ს მიზანია მშვიდობისა და საერთაშ. უშიშროების ინტერესებისათვის ხელი შეუწყოს განათლებასა და კულტ. გავრცელებას, მეცნ. განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, რასის, სქესის, ენისა და რელიგ. მიუხედავად. O-ს პროგრამები ითვალისწინებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ბრძოლას განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ახალგაზრდობის აღზრდას მშვიდობისა და საერთაშ. ურთიერთგაგების სულისკვეთებით, ეროვნ. კადრების აღზრდის ხელშეწყობას; გარდ ამისა, შეისწავლის ეროვნ. კულტ., ოკეანოგრაფიის, ბიოსფეროს, გეოლ., სოც. მეცნიერებათა, ინფორმაციის და სხვ. პრობლემებს. O. აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო მნიშვნელობის საიუბილეო თარიღების აღმნიშვნელ კამპანიებში (ოქტ. რევ. 50 წლისთავი, კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავი, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი და სხვ. 1978 O-მ აღნიშნა „შუშანიკის წამების" შექმნის 1500 წლიუბილე). O-ს უმაღლესი ორგანოა გენ. კონფერენცია, აღმასრულებელი—აღმასრ. საბჭო და სამდივნო. გენ. დირექტორია ა. ᲛᲑᲝᲣ (სენეგალი, 1974-იდან). შტაბ-ბინა პარიზშია. O-ს გამოცემებია „კურიერ ᲝᲣᲜᲔᲡᲙᲝ" (15 ენაზე, რუს. ენაზე 1957-იდან), წელიწადში 11-ჯერ) და სხვ. პერიოდიკა.

ᲘᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ (ინგლ. Unionists), 1 დიდი ბრიტანეთის *კონსერვატიული პარტიის* წევრების სახელწოდება, რ-იც ინ მარება ლიტ-რაში. ტერმ. „O." დამკვიდრდა 1886 ინგლისის პარლამენტში ირლანდიისათვის თვითმმართველობის მინიჭებ შესახებ ბილის განხილვასთან დაკავშირებით (იხ. *ᲰᲝᲛᲠᲣᲚᲘ*). 2. ჩრდ. ირლანდიაში კონსერვატორების მომხრე იუნიონისტური პარტიის (ე. წ. ოლსტერის იუნიონისტები) წევრები. მჭიდროდ არიან დაკავშირებული მონოპ. კაპიტალთან, აგ. გილ. მსხვილ მრეწველებთან, მიწათმფლობელ არისტოკრატიასა და პრო ტესტანტულ სამღვდელოებასთან. 1921-72 O-მა შეადგინეს ჩრდ. ირლ. მთავრობა. მათი პოლიტიკა მიმართული იყო ჩრდ. ირლ. კათოლიკე მოსახლ. ჩაგვრის

და დისკრიმინაციისაკენ, რამაც 60—70-იან წლებში მშრომელთა მასობრივი გამოსვლები გამოიწვია.

იუნკერი (გერმ. Junker), თავადაზნაურული წარმოშობის უნტერ-ოფიცერი XVIII ს.—XIX ს. I ნახ. რუსეთში. მომზადებას გადიოდნენ სპეც. სკოლებში. პოგვიანებით (1864-იდან) ი-ს უწოდებდნენ იუნკერთა სასწავლებლის კურსანტს, რ-საც ოფიცრის ჩინისათვის ამზადებდნენ.

იუნკერი ვასილი ვასილის ძე [25. III (6. IV). 1840, მოსკოვი,—1 (13). II. 1892, პეტერბურგი], ცენტრალური აფრიკის რუსი მკვლევარი. განათლებით ექიმი. 1873—75, 1876—78 და 1879—86 იმოგზაურა აფრიკაში. გამოიკვლია მდ. ბაჰრ-ელ-ღაზალის (ნილოსის მარცხ. შენაკადი) აუზის ხალხები, დაწვრილებით აღწერა მდ. უელეს აუზის სუდანის ხალხები — აზანდე, მადი, მანგბეტუ და სხვ. შეადგინა ჭის მიერ გამოკვლეული რ-ნების ეთნოგრ. რუკები, შეაგროვა სამხრ. სუდანის, ჩრდ.-აღმ. კონგოს, ჩრდ. უგანდის ხალხთა მატერ. კულტ. მდიდარი კოლექცია, რ-იც ინახება ლენინგრ. ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

თხზ.: Reisen in Afrika. 1875—1886, Bd. 1—3, W., 1889—91; Путешествия по Африке (1877—1878 и 1879—1886), пер. с нем., М., 1949.

იუნკერსი (Junkers) ჰუგო (3. II. 1859, რაიდტი,—3. II. 1935, გაუტინგი), გერმანელი ავიაკონსტრუქტორი და მეწარმე. 1897—1912 აახენის უმაღლესი ტექ. სკოლის პროფესორი. 1915—16 ააგო მთლიანლითონის საცდელი თვითმფრინავი (რ-საც ჰქონდა თავისუფლად მზიდი ფრთა), ხოლო 1917 ა. ფოკერთან ერთად—მთლიანლითონის ჯავშნიანი მზვერავი თვითმფრინავი (რ-ის ფრთები შემოსილი იყო გოფრირებული დიურალუმინით), შემდგომ კი—მრავალი სხვა თვითმფრინავი (ი-13 და სხვ.). ამავე წელს დააარსა თვითმფრინავთ- და ძრავათმშენებელი ფირმა „იუნკერსი" (Junkers Flugzeug- und Motorenwerke AG). გერმ. ფაშიზმის მიერ II მსოფლიო ომის მომზადების პერიოდში ფირმა იქცა გერმ. ერთ-ერთ უდიდეს სამხ. საწარმოდ, რ-იც აერთიანებდა სამხ. თვითმფრინავების, ტანკებისა და გემებისათვის საჭირო დიზელის ძრავებისა და სხვ. გამომშვებ ათობით ქ-ნას. ომის დამთავრების შემდეგ ფირმა „იუნკერსი" ლიკვიდირებულ იქნა. შემდგომ აღადგინეს მისი მანქანათმშ. ქ-ნები, რ-ებსაც სათავეში ჩაუყენეს ი-ის შვილი ე. იუნკერსი.

იუნკრობა (გერმ. Junker—ახალგაზრდა აზნაური), ვიწრო გაგებით, აღმ. პრუსიის აზნაურ მიწათმფლობელთა კლასი XVI ს.—XX ს. 40-იან წლებში. ფართო გაგებით, გერმანიის მემამულეთა კლასი მთლიანად. ი-ის სოც. ბაზას ქმნიდა აღმ. პრუსიის აზნაურ რაინდთა ის ფენა, რ-მაც კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებისა და მსოფლიო ბაზარზე სას.-სამ. პროდუქციის ფასების ზრდის პირობებში თავის მამულში დანერგა წარმოების კაპიტალ. წესი. იუნკრები თავიანთ მამულებს აფართოებდნენ სლავ. და ლიტვ. მიწების დაპყრობის, სათემო მიწების მიტაცების, გლეხთა მიწების ექსპროპრიაციის ხარჯზე. ი. სარგებლობდა ფეოდ. იურისდიქციით, ხელთ ეპყრა ადმ.-პოლიტ. უფლებები. სოფ. მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის პირობებში ჯერ პრუსიაში, ხოლო შემდეგ გავრთ. გერმანიაში ი-მ ხელთ იგდო ეკონ., პოლიტ. და სამხ. პრივილეგიები, რამაც განაპირობა გერმ. იმპერიალიზმის, როგორც იუნკრულ-ბურჟ. იმპერიალიზმის ჩამოყალიბება. ამჟამად დას. გერმანიაში ი. რეაქციისა და მილიტარიზმის ძირითადი დასაყრდენია.

იუნონა (Juno), ძვ. რომაულ მითოლოგიაში ქალღმერთი, იუპიტერის და ცოლი, ცისა და ღმერთების დედოფალი, ქალების მფარველი, ქორწინებისა და მშობიარობის ქალღმერთი. ი-დმი მიძღვნილი დღესასწაულები — მატრონალიები— 1 მარტს იმართებოდა რომში. მონაწილეობდნენ გათხოვილი ქალები, რ-ებიც ქალღმერთს სწირავდნენ ყვავილებს. გადმოცემით, ეს დღესასწაულები რომულუსს შემოულია ქორწინების ინ-ტის დაწესებასთან დაკავშირებით. ბერძნ. მითოლოგიაში ი-ს შეესატყვისება *ჰერა*.

იუნონა, *მცირე ცთომილი* № 3; ხილული *ვარსკვლავიერი სიდიდე* ახლო და შორი *პირისპირდგომის* დროს შესაბამისად 7,0 და 10,0, დიამეტრი ~225 *კმ*; მზის ირგვლივ გარემოქცევის ორბიტის დიდი ნახევარღერძი 2,668 ა. *ე.*, *გარემოქცევის სიდერული პერიოდი* 4,36 *წ.* ორბიტის ექსცენტრისიტეტი 0,258, დახრა ეკლიპტიკისადმი 13,00°. აღმოაჩინა გერმ. ასტრონომმა *კ.* ჰარდინგმა 1804.

„იუნოსტ", ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სურათებიანი ჟურნალი. სსრკ მწერალთა კავშირის ორგანო; გამოდის 1955-იდან მოსკოვში, რუს. ენაზე. რედაქტორები — ვ. კატაევი (1955 — 62) და ბ. პოლევოი (1962-იდან). განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ა. ტვარდოვსკი, ო. ბერგოლცი, ი. ნაგიბინი, კ. სიმონოვი, ბ. სლუცკი, ა. ვოზნესენსკი, რ. როჟდესტვენსკი და სხვ. ტირაჟი 2600 ათ-ზე მეტიც (1979).

იუნუს ემრე (Yunus Emre) (1240—1320), თურქი პოეტი. მოხეტიალე დერვიში იყო. ხალხში სუფიურ მოძღვრებას ქადაგებდა. ძირითადად ლირიკულ ლექსებს თხზავდა, ხშირად იყენებდა ხალხ. შემოქმედების ფორმებს. ი. ე-ს ლექსები გაერთიანებულია დივანში. ლირ. ლექსებში ი. ე. სუფიური სიყვარულის ინტერპრეტაციას იძლევა. მასვე ეკუთვნის მანანავი „სამოძღვრებო ეპისტოლე", რ-შიც სუფიური თვალსაზრისით არის გაშუქებული რელიგ.-ეთიკური და ფილოს. საკითხები. წერდა ეროვნ. ლექსის საზომით — ჰეჯათი. ი. ე-ს ლექსიკა თურქულია, უბრალო ხალხისთვის ადვილად გასაგები, რამაც განაპირობა მისი დიდი პოპულარობა. იგი თურქულენოვანი ლიტერატურის მამამთავრად არის აღიარებული.

ლიტ.: გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა შ., ძველი თურქული ლექსიკის შესახებ იუნუს ემრეს ნაწარმოებებში, «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1977, № 3; К у д е л и н В. Б., Некоторые вопросы истории изучения жизни и творчества Юнус Эмре, «Вестник Московского университета», 1970, № 2, с. 72—81; G ö l p i n a r l ı A., Yunus Emre, Ankara, 1968.

იუონი კონსტანტინე თეოდორეს ძე [12 (24). X. 1875, მოსკოვი,—11. IV. 1958, იქვე], რუსი საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. სსრკ სახ. მხატვარი (1950), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1947). სკკპ წევრი 1951-იდან. „მირ ისკუსსტვას", „რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაციის" (1925-იდან) წევრი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ბერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1892—98). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საკუთარ სტუდიაში (1900—17), სამხატვრო აკადემიაში (1934—36), ვ. სურიკოვის სახ. მოსკ. სამხატვრო ინ-ტში (1952—55). იყო მოსკ. მცირე თეატრის მთავარი მხატვარი (1945—47), 1957-იდან — სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „გაზაფხულის მზიანი დღე" (1910, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი); „წითელი არმიის პარადი" (1923), „კრემლის იერიში 1917 წელს" (1947), — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, როგორც თეატრის მხატვარმა გააფორმა მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი" (1912—13, ელისეს მინდვრების თეატრი, პარიზი) და სხვ. სსრკ სახ. პრემია (1943), დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენიდა და მედლებით.

იუპიტერი (Jupiter), ძვ. რომაულ მითოლოგიაში უზენაესი ღვთაება. მეუფე ცისა და ჭექა-ქუხილისა, მთელი სამყაროს მბრძანებელი, მეხთამტყორცნელი, *იუნონას* ქმარი და მინერვას მამა. ითვლებოდა რომის სახელმწიფოს მფარველად. მისი ტაძარი იდგა კაპიტოლიუმზე. ბერძნ. მითოლოგიაში ი-ს შეესატყვისება *ზევსი*.

იუპიტერი, მზის სისტემის უდიდესი, მზიდან დაშორების მიხედვით მეხუთე პლანეტა. პირობითი ასტრონ. ნიშანია ♃. ძველ ქართულად — დ ი ა და მ უ შ თ ა რ ი. ი-ის საშ. მანძილი მზიდან 778,4 მლნ. *კმ*. ორბიტის ექსცენტრისიტეტი 0,048, დახრა *ეკლიპტიკისადმი* 1°18′17″, გარემოქცევის *სიდერული პერიოდი* 11,862 *წ.*, *სინოდური პერიოდი* — 398,88 *დღ.*

მაქს. ბრწყინვალების დროს ი-ის *ვარსკვლავიერი სიდიდეა*—2,6. ცაზე ჩანს ყოველწლიურად. კუთხური ზომა იცვლება 30,5″-იდან 50, 1″-მდე. ი-ის ეკვატორული რადიუსია 71300 *კმ*, პოლარული 67080 *კმ*, მასა 1,899 · 10^{27} *კგ* (დედამიწის მასას აღემატება 317,8-ჯერ), საშ. სიმკვრივე 1327 *კგ/მ*³, სიმძიმის ძალის აჩქარება ეკვატორზე 25,9 *მ/წმ*², *მეორე კოსმოსური სიჩქარე* 61 *კმ/წმ*, ორბიტული მოძრაობის საშ. სიჩქარე 13,1 *კმ/წმ*.

ტელესკოპით დაკვირვებისას ი-ზე ეკვატორის პარალელური ბნელი და ნათელი ზოლები, აგრეთვე სხვა უამრავი დეტალი, რ-თა სიკაშკაშე, ფერი, ფორმა და განლაგება ცვალებადია. ესენი ღრუბლოვანი წარმონაქმნებია. ი-ის ხილული ზედაპირის ბრუნვის პერიოდი დამოკიდებულია განედზე და მერყეობს 9 *სთ* 50 *წთ*-იდან (ეკვატორული ზონა) 9 *სთ* 55 *წთ*-მდე (მაღალი განედები).

ი-ის ატმოსფერო შეიცავს წყალბადს, ჰელიუმს, მეთანსა და ამიაკს. ზედა ფენების ტემპ-რა დაახლ. —140°C.

ი-იდან მოსული რადიოგამოსხივება აღემატება ნებისმიერი სხვა ციური სხეულის გამოსხივებას (თუ გამოვრიცხავთ მზეზე ამოფრქვევათა პერიოდებს).

ი. გამოასხივებს მზისგან მიღებულ სითბოზე ორჯერ მეტს. ენერგიის ჭარბი ნაწილი მოდის პლანეტის წიაღიდან და განპირობებულია გრავიტაციული შეკუმშვით. მკვლევართა აზრით, ი. თხევადი წყალბადის შენადედი უნდა იყოს — მცირე ზომის მყარი ბირთვითა და სქელი ატმოსფეროთი.

ცნობილია ი-ის 14 თანამგზავრი. მათგან ყველაზე ბრწყინვალეა 4 თანამგზავრი (*იო*, *ევროპა*, *განიმედე* და *კალისტო*), რ-ებიც *გ. გალილეიმ* აღმოაჩინა 1610. ამერ. კოსმ. ხომალდებმა „ვოიაჯერ—1" და „ვოიაჯერ—2" 1979 აღმოაჩინეს რგოლების სისტემა ი-ის ირგვლივ და მოქმედი ვულკანები ი-ის თანამგზავრ იოზე.

ლიტ.: М о р о з В. И., Физика планет, М., 1967; Физические характеристики планет—гигантов. Справочник—обзор, А.-А., 1971. *ვ. ჯაფიაშვილი.*

იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე (1857—1927), იხ. *სუმბათაშვილ-იუჟინი* ა. ი.

იუჟნო-სახალინსკი (1946-მდე ტ ო ი ო ხ ა რ ა), ქალაქი რსფსრ-ში, სახალინის ოლქის ცენტრი, მდებარეობს კ. სახალინის სამხრ. ნაწილში. სარკინიგზო კვანძი. 140 ათ. მცხ. (1979). ორთქლმავალვაგონთშემკეთებელი, ავტოსარემონტო, მექან. ქ-ნები, ფეხსაცმლის კომბინატი, საშენ მასალათა წარმოება, კვების მრეწვ., პედ. ინ-ტი, სატყეო-ტექ. და საბჭ. ვაჭრობის ტექნიკუმები, მუს. და პედ. სასწავლებლები. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

იუჟნო-ურალსკი, ქალაქი (1963-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, მდ. უველკის ნაპირზე, რკინიგზის სადგ. ნიჟნეუველსკაიიდან 7 *კმ*. სრესი. საარმატურო-საიზოლატორო, ფაიფურის, სარემონტო-მექან., რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები. ინდუსტრ. ტექნიკუმი.

კ. ი უ ო ნ ი. ავტოპორტრეტი. 1953. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.



იუპიტერის სახე ტელესკოპში.



იუპიტერის ატმოსფერული წარმონაქმნები ჩრდილოეთი განედის 49°-ზე, მოჩანს 300 კმ ზომის დეტალები. ფოტო მიღებულია „პიონერ-11"-ით 550000 კმ მანძილიდან.

გ. იურა.

იურა ფნატ (იგნატი) პეტრეს ძე [27. XII 1887 (8. I. 1888) — 18. I. 1966], უკრაინელი საბჭ. მსახიობი, რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1940), სკკპ წევრი 1938-იდან. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1907. 1919-იდან სათავეში ედგა ქ. ვინიცის თეატრს. ამ თეატრის ბაზაზე 1920 შეიქმნა ი. ფრანკოს სახ. დრამ. თეატრი, სადაც ი. მოღვაწეობდა როგორც მსახიობი, რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. იყო კროპივნიცკის, ზანკოვეცკაიას, საქსაგანსკის თეატრ. ტრადიციების გამგრძელებელი. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია ნ. კულიშის „კომუნა ველზე" (1925), ვ. ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი 14—69" (1928), ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა" (1933), „ბოგდან ხმელნიცკი" (1939), „მაკარ დუბრავა" (სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), „ძახველის ჭალა" (სსრკ სახელმწ. პრემია, 1951) და სხვ. როლებიდან აღსანიშნავია: მარტინ ბორულია (კარპენკო-კარის „მარტინ ბორულია"), შვეიკი („ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიკის თავგადასავალი", ჰაშეკის მიხედვით), ფიგარო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება") და სხვ. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

იურა (Jura), მთები ალპების მთათა სისტემაში, საფრანგეთსა და ნაწილობრივ შვეიცარიაში. გადაჭიმულია სავოიის ალპებიდან შვარცვალდის სამხრ. მთისწინეთამდე 250 *კმ*-ზე. სიმაღლე 1718 *მ*-მდე (მთა ნეჟნი). აგებულია ძირითადად იურული კირქვებითა და მერგელებით. განვითარებულია კარსტი. კალთებზე წიფლის ტყეებია (გვხვდება სოჭნარიც), უფრო მაღლა (1500 *მ*-მდე)—წიწვოვანი ტყეები (სოჭი, ნაძვი), მწვერვალებზე — სუბალპ. მდელოები და მთის ფიჭვის რაყები. ხე-ტყის დამზადება, მესაქონლეობა (ძირითადად სარძევე), მიწათმოქმედება, მარცვლეული კულტურები და ვენახი.

იურგა, ქალაქი (1949-იდან) რსფსრ კემეროვოს ოლქში. სარკინიგზო კვანძი. 75 ათ. მცხ. (1977). რკინიგზის ტრანსპორტის, საშენ მასალათა და კვების მრეწვ. საწარმოები. სრესი, ავეჯის ფ-კა. ტომსკის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, მექან. ტექნიკუმი.

იური ანდრიას ძე, გიორგი რუსი, საქართველოს მეფის *თამარის* პირველი ქმარი, ნოვგოროდის მთავარი 1172—75, სუზდალის მთავრის *ანდრია ბოგოლიუბსკის* შვილი. ბოიართაგან ანდრია ბოგოლიუბსკის მოკვლის (1174) შემდეგ ი. ა. ძ. ნოვგოროდიდან გააძევეს (1175). ნოვგოროდის მატიანე 1175 მერე მას აღარ იხსენიებს. იპატის ნუსხის მიხედვით კი ი. ა. ძ. ამის შემდეგ ქ. ვლადიმირშია, სადაც მონაწილეობდა სამთავროს ტახტის დაუფლებისათვის ატეხილ დავაში. 1176—77 ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართ. წყაროებით სალავათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და ძმისშვილიც გააძევა იქიდან. ამის შემდეგ უფლისწული ჩრდ. კავკასიაში აღმოჩნდა და შემდგომში მისი ბედი რუსი ისტორიკოსებისათვის ქართ. წყაროებიდან გახდა ცნობილი. 1185 ი. ა. ძ. *აბულასანის* წინადადების საფუძველზე საქართვ. სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით საქართველოში მოიწვიეს თამარის თანამეცხედრედ. ი. ა. ძ. საქართველოში ჩამოსვლის უმალ ფეოდ. შინაკლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში მოექცა. ჩანს, იგი აბულასანის დასს უჭერდა მხარს. ი. ა. ძ-ის, როგორც მეფე-ქმრის, ფუნქცია მკვეთრად იყო განსაზღვრული და ძირითადად ლაშქრის მეთაურობით ამოიწურებოდა. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, რუსი უფლისწული უზნეო გამოდგა, ამის გამო იგი განაშორეს თამარს და საქართველოდან გააძევეს (1187—88). ი. ა. ძ-მ თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. როგორც ჩანს, მასთან კავშირი არ შეუწყვეტიათ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს, რ-თა შემწეობითაც გაღვივდა აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ (იხ. *იური ანდრიას ძის აჯანყება 1191*). თავისი უფლებების აღსადგენად მებრძოლი უფლისწული დაამარცხა თამარის ლაშქარმა. საქართვ. მეფის ბრძანებით ი. ა. ძ. სრულიად უვნებელი გაუშვიათ. იგი, როგორც ი. ჯავახიშვილი ვარაუდობს, კვლავ ბიზანტიაში უნდა წასულიყო. ი. ა. ძ-მ მეორედაც სცადა ბედი და *არანის* მხრიდან შემოვიდა საქართველოში, დაარბია კამბეჩანის მხარე და ტყვე და ნადავლიც „აიღო". მას მცირე ლაშქრით დაედევნა ხორნაბუჯის პატრონი საღირ მახატლის ძე, შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. ი. ა. ძ. გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად გაიქცა და „გარდაიხუეწა".

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე; Московский летописный свод конца XV века, Полное собрание русских летописей, т. 25, М., 1949; Новгородская летопись по синодальному харатейному списку, СПб., 1888.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 7, თბ., 1974; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. *რ. მეტრეველი.*

იური ანდრიას ძის აჯანყება 1191, აჯანყება, რომელიც ფორმალურად მიზნად ისახავდა *იური ანდრიას ძის* უფლებების აღდგენას საქართველოში, ფაქტობრივად კი ითვალისწინებდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შერყევასა და მსხვილ ფეოდალთა გარკვეული ჯგუფის უფლებათა გაფართოებას, ამავე დროს იურის განდევნით დაზარალებულ მოქალაქეთა ზედაფენის გავლენის აღდგენას სამეფო ხელისუფლებაზე. აჯანყებაში, როგორც ჩანს, თითქმის მთელი დას. და სამხრ. საქართველოს საკმაო ნაწილი იყო ჩაბმული. აჯანყებულთა რიგებში იყვნენ: მსახურთუხუცესი ვარდან *დადიანი*, კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი *გუშანი*, სამცხის სპასალარი ბოცო *ჯაყელი* და სხვ. აჯანყებულებმა მოიწვიეს იური ანდრიას ძე და გეგუთში მეფედ გამოაცხადეს. თამარ მეფემ სცადა მოწინააღმდეგეებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება, მაგრამ დაზავება ვერ მოახერხა. მეამბოხეთა ერთმა ნაწილმა გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე მივიდა. მეორე ნაწილმა გადაიარა რკინისჯვარი, აიღო ციხისჯვარი, დაწვა ქალაქი ოძრხე. საქართვ. სამეფო კარმა შეკრიბა ლაშქარი, რ-იც ამირსპასალარ გამრეკელ *თორელის* მეთაურობით აჯანყებულთა მეორე ნაწილს შეებრძოლა. მეამბოხეებმა უკან დაიხიეს. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ბრძოლა, რ-იც თამარის მოლაშქრეთა გამარჯვებით დამთავრდა. გაიგეს თუ არა ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა თანამზრახველთა დამარცხება ჯავახეთში, თვითონაც გაიქცნენ. დამარცხებულ მეამბოხეთა ხელმძღვანელები ლიხთიმერეთიდან მორჩილებით გადმოვიდნენ და თან უფლისწული იურიც გადმოიყვანეს. თამარის ბრძანებით იური ანდრიას ძე სრულიად უვნებელი გაუშვიათ. არც ამბოხების სხვა თავკაცები დაუსჯიათ მკაცრად, თუმცა თანამდებობები კი ჩამოურთმევიათ. მეფის ერთგულები სათანადოდ იქნენ დაჯილდოებულნი და „შეწყალებულნი". იური ანდრიას ძემ ერთხელ კიდევ სცადა ბედი და *არანის* მხრიდან შემოიჭრა საქართველოში, მაგრამ მწარე დამარცხება იგემა და სამუდამოდ გადაიხვეწა.

წყარო და *ლიტ.* იხ. სტ-თან იური ანდრიას ძე. *რ. მეტრეველი.*

იური გაგარინის ქედი, ქედი ანტარქტიდაში, დედოფალ მოდის მიწის ცენტრ. ნაწილში, ლაზარევის ზღვის ნაპირიდან 200 *კმ*-ზე (ს. გ. 72°, ა. გ. 92°04′). სიმაღლე 2500 *მ*-ზე მეტი. აგებულია უძველესი კრისტ. ქანებით. აღმოაჩინა და შეისწავლა V საბჭ. ანტარქტ. ექსპედიციამ 1960—61. სახელი ეწოდა პირველი კოსმონავტის ი. *გაგარინის* პატივსაცემად.

იურიდიული აქტი, ფართო გაგებით— სახელმწიფო ორგანოთა აქტი, რ-ის შედეგადაც წარმოიშობა, იცვლება ან ისპობა დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი. იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანოს მიერ და როგორი წესითაა გამოცემული, ი. ა-ს ეწოდება *კანონი, ბრძანებულება, დადგენილება, ბრძანება, განაჩენი, გადაწყვეტილება, განკარგულება* და სხვ. ი. ა. შეიძლება იყოს ნორმატიული (ზოგადი წესების დამდგენი) და ინდივიდუალური (მაგ., ბრძანებულება მეცნიერის დაჯილდოების შესახებ). იხ. აგრეთვე *ადმინისტრაციული აქტი, დიპლომატიური აქტი.*

იურიდიული განათლება, სამართალმცოდნეობის სპეციალისტთა მომზადების სისტემა. განათლების ერთ-ერთი უძველესი დარგი. ჯერ კიდევ ძვ. რომში არსებობდა იურიდ. სასწავლებლები. შუა საუკ. ევროპის უნ-ტებში ერთ-ერთი პირველი ფაკ-ტი იყო იურიდიული, ხოლო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი უნ-ტი — *ბოლონიის უნივერსიტეტი* — შეიქმნა უმაღლესი იურიდ. სკოლის ბაზაზე (1158). *რომის სამართლის რეცეფციამ* დიდად შეუწყო ხელი ევრ. უნ-ტებში იურიდ. ფაკ-ტების შექმნა-გაფართოებას. იურისპრუდენცია ისწავლებოდა აგრეთვე ძვ. აკადემიებში (საქართველოში — გელათისა და იყალთოს აკადემიებში).

მოსკოვის უნ-ტში, რ-იც 1755 დაარსდა, პირველ 3 ფაკ-ტს შორის (სამედ. და ფილოს. გარდა) იყო იურიდ. ფაკ-ტიც. რევოლუციამდელი რუს. უნ-ტებში იურიდ. ფაკ-ტი ერთ-ერთი აუცილებელი ფაკ-ტი იყო. გარდა ამისა, რუსეთში არსებობდა იურიდ. ლიცეუმები და სამართალმცოდნეობის სასწავლებლები. ი. გ. ჰქონდათ მიღებული ვ. ი. ლენინს, აგრეთვე ა. გრიბოედოვს, ი. ჭავჭავაძეს, პ. ჩაიკოვსკის, ა. სეროვს და სხვ.

სსრკ-ში 1979-თვის სამართალმცოდნეობის სპეციალობას ეუფლებოდნენ სახელმწ. უნ-ტების 26 იურიდ. ფაკ-ტზე, 4 იურიდ. ინ-ტში და ზოგიერთ სხვ. სპეც. სასწავლებელში.

საქართველოში ი. გ-ის განვითარება განუყრელად არის დაკავშირებული თბილ. უნ-ტთან. 1922 თბილ. უნ-ტის სოც.-ეკონ. ფაკ-ტზე შეიქმნა იურიდ. განყ-ბა, მის ბაზაზე 1930 — „საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი", 1933 იგი გადაკეთდა თსუ-ის ფაკ-ტად და ჯერ საბჭ. სამართლის ფაკ-ტი ერქვა, ხოლო 1936-იდან — იურიდ. ფაკ-ტი. თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი რესპუბლიკაში მომუშავე იურისტთა კადრების აღზრდის მთავარი კერაა. იურიდ. ფაკ-ტზე გაშლილია სამეცნ.-კვლ. მუშაობა სამართ. დარგში. აქ იზრდებიან ახალგაზრდა მეცნიერ-იურისტები (1957-იდან ასეთივე მუშაობა ტარდება საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონ. და სამართ. ინ-ტის სამართლის სექტორში. იხ. აგრეთვე *სამართალმცოდნეობა*).

საზღვარგარეთის სოციალ. ქვეყნებში ი. გ-ს, როგორც წესი, უნ-ტების იურიდ. ფაკ-ტებზე იღებენ. სწავლების ფორმა ძირითადად ისეთივეა, როგორიც საბჭ. უმაღლეს იურიდ. სასწავლებლებში. ბურჟ. ქვეყნებში ი. გ. უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია; ასწავლიან თეორ. კურსებს, ხოლო საწარმოო პრაქტიკა, როგორც წესი, არ ტარდება.

ლიტ.: ჯორბენაძე ს., თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფა-
ულტეტის დაარსების 50 წლისთავისათვის,
«საბჭოთა სამართალი», 1973, № 4—5.

ს. ჯორბენაძე.

ИУРИДИУЛИ КОНСУЛЬТАЦИА, იხ. სტ.
ადვოკატურა.

ИУРИДИУЛИ МЕЦНИЕРЕБА, იხ. *სამარ-
თალმცოდნეობა.*

ИУРИДИУЛИ МСОФЛЮМЕДЕВЕЛОБА, შე-
ხედულებათა სისტემა, რ-იც ემყარება იმ
ოდეალისტურ წარმოდგენას, რომ სამარ-
თალი არის საზოგადოების პირველსაწყი-
ი. ჩამოყალიბდა ფეოდ. წესწყობილების
ზინაალმდეგ ბურჟ. ბრძოლის დროს, რო-
ორც ბურჟ. კლასიკური მსოფლმხედვე-
ლობა. ფ. ენგელსის სიტყვით, იურიდიუ-
ი მსოფლმხედველობა იყო თეოლოგიუ-
ის გაამქვეყნიურება. ი. მ. უარყოფს იმას,
რომ სამართალი გაპირობებულია საზ-ბის
ოც.-ეკონ. წესწყობილებით, იგი ცდი-
ლობს დაამტკიცოს, რომ სამართ. ნორმე-
ი არ წარმოიშობა განსაზღვრულ საზ.
ურთიერთობებთან კავშირში; ისინი სა-
ელმწ. ხელისუფლების თვითნებურ დანა-
ესადაა მიჩნეული. ი. მ-ს არ ძალუძს მოვ-
ენათა არსის ახსნა, იგი სახელმწ.-სა-
ართ. მოვლენათა ფორმალურ-იურიდ. განი-
ილვით იფარგლება.

ИУРИДИУЛИ ПИРИ, საბჭ. სამართლის
ინიდვით, ორგანიზაცია, რ-საც აქვს გან-
ალკევებული ქონება, შეუძლია თავისი
ახელით მოიპოვოს სამოქალაქო უფლე-
ები, იკისროს მოვალეობანი, გამოვიდეს
ასამართლოში მოსარჩელედ ან მოპა-
უხედ და სხვ. (საქ. სსრ სამოქალაქო სა-
ართ. კოდ., მ. 22). ი. პ-ის დამახასიათე-
ელი ნიშნებია: 1. ორგანიზაცი-
ული ერთიანობა. მისი ცალკეუ-
ი სტრუქტურულად დამოუკიდებელი ში-
აგანი დანაყოფები (საწარმო ერთეულე-
ი, საამქროები, ბრიგადები, განყ-ბები)
არკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში
რიან და ემორჩილებიან ი. პ-ის ხელმ-
ძღვანელ ორგანოს, რის გამოც ი. პ-ს გა-
ინილავენ როგორც ერთიან სუბიექტს
(იხ. *სამართლის სუბიექტი*); 2. ქონები-
ვი განცალკევებულობა.
. პ-ის ქონება გამოყოფილია სხვა პირთა
ონებისაგან და წარმოადგენს მისი საქმი-
ნობის მატერ. ბაზას. 3. დამოუკი-
ებელი ქონებრივი პასუ-
ისმგებლობა. ი. პ. თვით
ებს პასუხს ნაკისრ ვალდებულებათა შეუ-
რულებლობაზე ან არასათანადოდ შეს-
ულებაზე, სხვა პირებისათვის ზარალის
ყენებაზე და ა. შ.; კერძოდ, სახელმწი-
ო პასუხს არ აგებს იმ სახელმწ. ორგანი-
აციების ვალდებულებებზე, რ-ებიც ი.
ები არიან, ისევე როგორც ეს ორგანი-
აციები არ აგებენ პასუხს სახელმწიფოს
ალდებულებებზე.

ი. პ-ები იქმნება საგანკარგულებო
ესით — სათანადო სახელმწ. ორგანოს
ეც. განკარგულებით; ნებართვის წე-
ით — როდესაც ორგანიზაცია თუმცა თვი-
ონ განსაზღვრავს თავისი საქმიანობის
ზნებს, ამოცანებს, ორგანიზაციულ სტრუ-
ურას და სხვ., მაგრამ სათანადო სა-
ელმწ. ორგანო ამოწმებს მისი შექმნის
რთლზომიერებას და იძლევა ი. პ-ის
ესებობის ნებართვას (ამ წესით იქმნება
ოპ. და საზ. ორგანიზაციათა უმრავლე-
ობა); ნორმატიულ-გამოცხადებითი წე-
ით, როდესაც ი. პ-ის შექმნისათვის არ
ის საჭირო სპეც. ნებართვა, რადგან
ქმედი ნორმატიული აქტები შეიცავენ
ერთო ნებართვას ამ სახის ი. პ-ის შექმ-
ს თაობაზე (ამ წესით იქმნება კოლ-ბე-
). ი. პ-ებს მათი საქმიანობით დადგენი-
ი მიზნების შესაბამისად სპეც. უფლება-

ვ. იურკუნასი.





იურული სისტემის დამახასიათებული ნამარხები. თავფეხიანები—ამონიტები: 1. Amaltheus; 2. Parkinsonia; 3. Stephanoceras; 4. Cardioceras; 5. ბულემნიტი—Nannofelus; 6. მუცელფეხიანები — Nerinea; 7. ორსაგდულიანები—Mytiloceramus.

იურული სისტემა. ფრინველთა უძველესი წარმომადგენლის არქეოპტერიქსის ნაშთი.

რაჟო ორგანოებში, სხვადასხვა სამართ. დოკუმენტაციის შედგენა-გაფორმება, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის დარღვევის გამოვლენა და სხვ.

იურის მონასტერი ნოვგოროდის ახლოს, რუსული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ნოვგოროდის ერთ-ერთი უძველესი მონასტერი. XII—XV სს-ში ნოვგოროდის ფეოდ. რესპ. პოლიტ. ცენტრი იყო. ძვ. ნაგებობათაგან შემორჩენილია: გიორგის ექვსსვეტიანი და სამგუმბათიანი ტაძარი (დაიწყო 1119, ხუროთმოძღვარი პეტრე) კოშკითურთ. ტაძრის ფასადები შემკულია ვიწრო და ღრმა ნიშების რიგით. 1825—27, გადაკეთების დროს, შენობა დამახინჯდა და ძვ. ფრესკები განადგურდა. 1933—36 ფასადები აღადგინეს და ტაძარს დაუბრუნეს პირვანდელი სახე.

იურისპრუდენცია (ლათ. jurisprudentia, სიტყვასიტყვით — სამართლის ცოდნა), ტერმინი, რ-ითაც აღინიშნება: 1. იურიდიული მეცნიერება, სამართ. დარგთა ერთობლიობა, აგრეთვე თეორ. მოღვაწეობა სამართ. დარგში. იხ. *სამართალმცოდნეობა*. 2. იურისტ-პრაქტიკოსთა პროფ. საქმიანობა, სასამართლო პრაქტიკა.

იურკევიჩი პამფილ დანიელის ძე (16. II. 1826 — 4. X. 1874), რუსი (წარმოშობით უკრაინელი) რელიგიის ფილოსოფოსი. 1851-დან ასწავლიდა ფილოსოფიას კიევის სას. აკადემიაში, 1861-იდან მოსკ. უნ-ტის პროფესორი. ი-ის ფილოს. თვალსაზრისი მიმართული იყო მატერიალიზმის წინააღმდეგ. ი. ეწინააღმდეგებოდა ნ. *ჩერნიშევსკის* მიერ ნაშრომში—„ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში" გატარებულ თვალსაზრისს, ხოლო *სეჩენოვთან* დისკუსიაში რეფლექსს მიიჩნევდა წმინდა ფიზიოლ. ცნებად, რ-საც ნერვული სისტემის „მექანიკურ მოწყობილობას" მიაკუთვნებდა. ი-ს მკაცრად აკრიტიკებდნენ ნ. ჩერნიშევსკი, გ. პლეხანოვი და მ. ანტონოვიჩი.

იურკუნასი ვიტაუტას [დ. 19. V (1. VI). 1910, სოფ. ვინდეიკიაი, ლიტვის სსრ უკმერგეს რ-ნი], ლიტველი საბჭ. გრაფიკოსი. სსრკ სახ. მხატვარი (1963). სკკპ წევრი 1949-იდან. სწავლობდა კაუნასის სამხატვრო სკოლაში (1929—35), 1945-იდან ასწავლის ლიტვ. სსრ სამხატვრო ინ-ტში, ვილნიუსში. ი-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თანამედროეობის გრძნობა, ზუსტი ნახატი, აქტუალობა. ნამუშევრები: „დედა ბავშვით" (1936), ციკლი „მეთევზეები" (1938—39) და „ფაშისტი ოკუპანტების მხეცობა" (1945—46, ყველა ლინოგრავიურა) და სხვ.

ლიტ.: Юркунас. [Каталог выставки в Москве], [М., 1962].

იურმალა, ქალაქი ლატვ. სსრ-ში. შეიქმნა 1959 ქ-ების კემერის, სლოკისა და რიგის იურმალის რ-ნის შეერთებით. ქალაქზე გადის ელექტრიფიცირებული რკინიგზა. 59 ათ. მცხ. (1977). კლიმ.-ბალნეოლ. და ტალახით სამკურნალო კურორტი. ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, პერფობარათების, სპორტული ნავებისა და ტორფის ქ-ნები, საგალანტერეო ფ-კა. ისტ. და სამხატვრო მუზეუმები.

იურული სისტემა (პერიოდი) (სახელი ეწოდა იურის მთების მიხედვით), მეზოზოური ჯგუფის რიგით მეორე სისტემა (გეოლ. წელთაღრიცხვის მეზოზოური ერის მეორე პერიოდი). მოსდევს *ტრიასულ სისტემას* (*პერიოდს*) და წინ უსწრებს *ცარცულ სისტემას* (*პერიოდს*). აბსოლ. გეოქრონოლოგიით ი. ს. დაიწყო 195 მლნ. წლის წინათ და გრძელდებოდა 55—58 მლნ. წელიწადს. ი. ს. გამოჰყო ა. ბრონიარმა 1829. იგი იყოფა 3 სექციად: ქვედა, შუა და ზედა, რ-ებიც ლიასის, დოგერისა და მალმის სახელებითაც არის ცნობილი (იხ. ცხრ.).

ტრიასულ პერიოდს მოჰყვა ტრანსგრესია, ზღვა თანდათან გაღრმავდა და მაქსიმუმს შუაიურულ ეპოქაში მიაღწია. ამის შემდეგ დაიწყო რეგრესია, ზღვამ თანდათან უკან დაიხია, რის გამოც ზედაიურული სექციის სულ ზედა ჰორიზონტები ლაგუნურ, ზოგჯერ, მტკნარი წყლის ნალექებს წარმოადგენს. ცარცული სისტემის ნალექები იურულ ნალექებზე ტრანსგრესიულადაა განლაგებული. ი. ს-ის დიდ სედიმენტაციურ ციკლში შეიმჩნევა 3 ქვეციკლი, რ-ებიც განპირობებულია ზედალიასური (დონეცური) და ბათური (ჩეგემური) ოროგენიული მოძრაობებით. ამ ქვეციკლებით არის გამოყოფილი ი. ს-ის ქვედა, შუა და ზედა სექციები.

ი. ს-ის ნალექები მდიდარია მცენარეული და ცხოველური ნაშთებით. ქვედაიურულ ფლორაში ჭარბობს შიშველთესლიანები. შუაიურული ფლორა განსხვავდება ქვედაიურულისაგან, მაგრამ ჯავს კიდეც მას. უფრო დიდი განსხვავებაა ზედა- და შუაიურულ ფლორათა შორის. ი. ს-ის ნალექებში ზღვის ცხოველთა ნაშთებია: რადიოლარიები, ღრუბლები და, განსაკუთრებით, მარჯნები, რ-ებიც რიფულ მასივებს ქმნიან; ეკალკანიანები, ბრაქიოპოდები და სხვ. ი. ს-ის შესწავლის საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს მოლუსკურ ფაუნას: გასტროპოდებს, ორსაგდულიანებსა და, განსაკუთრებით, ამონიტებს, რ-ებიც მცირე ვერტ. და ფართო გეოგრ. გავრცელების გამო კარგ სახელმძღვანელო ნამარხებად ითვლება და ნალექების დეტალური დანაწილების საშუალებას იძლევა. ამონიტებთან ერთად მრავლად არიან ბელემნიტებიც. იურულ ნალექებში ხერხემლიანთა მრავალი წარმომადგენელია ნაპოვნი. დას. ევროპასა და ამერიკაში აღმოჩენილია ხერხემლიან ცხოველთა უზარმაზარი ჩონჩხები. დამახასიათებელია ქვეწარმავლების სიმრავლე, ფორმათა მრავალგვაროვნება და ზოგიერთი ინდივიდის სიდიდე (მაგ., დინოზავრი ზოგჯერ 20 *მ* აღწევდა). ზედაიურულ ნალექებში ვხვდებით ფრინველთა პირველ წარმომადგენლებს, რ-ებიც მრავალი ნიშნით ჯერ კიდევ ქვეწარმავლებს ჰგვანან.

ი. ს-ში ძირითადად ზღვიური ნალექებია, მაგრამ რეგრესიების დროს (ბათური, კიმერიჯულ-ტიტონური) ილექებოდა ლაგუნური და კონტინენტური ნალექებიც. ზღვიური ნალექებიდან გვხვდება თიხები, მერგელები და კირქვები (მ. შ. დიდ როლს თამაშობს ზოოგენური რიფული კირქვები). სამხრ. ამერიკასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში საკმაო რაოდენობითაა ვულკანოგენური წარმონაქმნებიც. სსრკ-ში იურული ნალექები გვხვდება სხვადასხვა სისრულითა და ფაციესებით. სრული ჭრილებია ალპური დანაოჭების ზოლში (ყირიმი, კავკასია, შუა აზია). საქართველოში გვხვდება იურული ნალექების როგორც გეოსინკლინური, ისე ბაქნური ფაციესები. პირველ მათგანს ქვედა- და შუაიურულში ქმნის ფიქლების სერია (ასპიდური ფიქლები, ალევროლითები, ქვიშაქვები, ვულკანოგენური ქანები), ხოლო ზედაიურულში — კარბონატული ფლიში (მერგელების, კირქვების, თიხაფიქლებისა და ქვიშაქვა-ალევროლითების თხელშრეებრივი ფენების კანონზომიერი მორიგეობა). ამ ტიპის ნალექები ძალზე სქელია და ინტენსიურადაა დანაოჭებული. ბაქნურ ფაციესებში განარჩევენ: ქვედაიურულში — წითელ კირქვებს, შუაიურულში — სქელ ვულკანოგენურ ნალექებს, ზედაიურულში — კარბონატულ ქვიშაქვებსა და ზოოგენურ რიფულ კირქვებს.

ი. ს-ის ნალექებთან დაკავშირებულია ქვანახშირის, ნავთობის, რკინის, ფოსფორიტებისა და ქვამარილის საბადოები.

ლიტ.: ჯანელიძე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963; Аркелл В. Д., Юрские отложения земного шара, пер. с англ., М., 1961; Кахадзе И. Р., Грузия в юрское время, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლოგიური სერია», 1947, ტ. 3.

ვ. ზესაშვილი.

იურფე, დ'იურფე (d'Urfé) ონორე (11. II. 1568, მარსელი, — 1. VI. 1625, ვილფრანში), ფრანგი მწერალი; პასტორალური რომანის ფუძემდებელი და *პრეციოზული ლიტერატურის* თვალსაჩინო წარმომადგენელი. ი-ს მთავარი ნაწარმოებია 5-ნაწილიანი რომანი „ასტრე" (ნაწ. 1—3, 1607—18; ნაწ. 4—5, 1627—28); მასში გაიდეალებულია საზ-ბისაგან განაპირებული და ბუნების წიაღში თავშეფარებული არისტოკრატი ახალგაზრდების ცხოვრება და გალანტურ-ჰეროიკული სიყვარული. ი-ს ეკუთვნის აგრეთვე „ზნეობრივი მიმართვები" (1598), პასტორალური პოემა „სირენა" (1604), „ტყის არაკი", „სილვანირი ანუ ცოცხალი მიცვალებული" (1627) და სხვ.

იუსეფ გურჯი (დ. წ. უცნობია, — დაახლ. 1871), ირანელი პოეტი, წარმოშობით ქართველი. 7 წლისა „ისლამის სჯულისათვის მებრძოლ" მუსლიმს ტყვეად წაუყვანია საქართველოდან, ისლამის სჯულზე მოუქცევია და ფეშქაშად მიურთმევია ცნობილი ლიტერატორის მაჰმუდ მირზა ყაჯარისათვის. ი. ბ. წერდა *კასიდებს, რობაიებს, ღაზალებს*, მარსიებს (ელეგია). ავტორია დივანისა, რ-იც 54 ბეითს შეიცავს. დივანი მუჰამედ ალ-ყაზვინის გადაუწერია ჰიჯრის 1297 (1879) და ირანის მეჯლისის ხელნაწერთა საცავში ინახება. ი. ბ-ის 5 ბეითი შეტანილია ირან. პოეტთა ცნობილ მიმოხილვაში „თაზქერეიე დელგოშა". რამდენიმე ბეითი მაჰმუდ მირზა ყაჯარსაც შეუტანია თავის *თეზქერეში* („საფინათ ალ-მაჰმუდ"). მისივე ცნობით, ი. ბ-ს 3000 ბეითი ჰქონია (თეზქერეს შედგენის დროისთვის).

თბ.: [წიგნში] თოდუა მ., ქართული სპარსული ეტიუდები, [წგნ.] 1, თბ., 1971.

იუსტინიანე I (Flavius Petrus Sabbatius Justinianus) დიდი (482, ტაურეზიუმი, — 11. XI. 565, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის იმპერატორი 527—565 წარმოშობით ილირიელი გლეხი. გაზარდა ბიძამ — იმპ. იუსტინე I-მა. მიიღო ბრწყინვალე განათლება. 518-იდან იუსტინე I-ი თანამმართველი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისუნარიანობით (მისი დევიზი იყო: „იმპერატორს არასდროს აძინავს"). არაჩვეულებრივად მორწმუნე და თეოლოგიის კარგი მცოდნე იყო. ი. I-ის დროს ბიზანტ. პოლიტ. ცხოვრებაში აქტიურად ერეოდა მისი ცოლი თეოდორა. ი. I ცდილობდა განემტკიცებინა დაშლილ გზაზე მდგარი იმპერია და აღედგინა რომის ძვ. ძლიერება. შეზღუდა მსხვილი სენატორული დიდკაცობის უფლებები და ალგმა მათი სეპარატისტული მისწრაფებები. ებრძოდა მოხელეთა მექრთამეობას, გაძლიერა არმია და ბიუროკრ. აპარატი. ევრდნობოდა მოსახლ. საშ. ფენებს. შექმნა სახელმწ. სავაჭრო-მონოპოლიები, ჩაატარა სამართლ. კოდიფიკაცია ძვ. რომაული სამართლ. საფუძველზე (იხ. *„კორპუს ურის ციკილისი"*); მხარს უჭერდა მონაზონებს, 528 დაარბია მონოფიზიტები და მოდევნო წელს დახურა ათენის უნ-ტი (წარ

იურული სისტემა, გვიანდელი იურული ლანდშაფტი. ჩრდ. ამერიკა. წინა პლანზე — დიდი (27 მ სიგრძის) მცენარეჭამია ხელიკი — დიპლოდოკი.

ართობის კერა). ეკლესია სახელმწიფოს ᲙᲐᲣᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲐ. ეწეოდა ფართო დაპყრობით ომებს: დაიპყრო ვანდალების სახელმწიფო ჩრდ. აფრიკაში (533—534), ოსტუთეგებისა — იტალიასა და სიცილიაში 535—555), ვესტგუთეებისა — ესპ. სამხრ.-ღმ. ნაწილში (554). ამრიგად, ხმელთაშუა ზღვის აუზი მთლიანად ბიზანტიას ᲙᲐᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐ. Ი. I. თითქმის მთელი თავისი მეფობის მანძილზე ებრძოდა სასაურ ირანს. ამ ომის ერთ-ერთი ძირითადი სპარეზი იყო ამიერკავკასია, კერძოდ, გრისის (ლაზიკის) სამეფო, რ-საც განაკუთრებული როლი ენიჭებოდა სტრატეგიული მდებარეობის წყალობით. 562 ირანიან ზავი დაიდო. აქტ. საგარეო პოლიტიკა ურაცხელ ხარჯს მოითხოვდა, რის გამოც აიზარდა გადასახადები. Ი. I-ის მმართველობის პერიოდში გამწვავდა კლასობრივი ᲛᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲔᲑᲘ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ნიკას“ აჯანყება კონსტანტინოპოლში. Ი. I-ის დროს აიგო ახ. საფორტიფიკაციო სისტემები, სასახლეები, ცნობილი წმ. სოფიოს ტაძარი კონსტანტინოპოლში, არაჩვეულებრივი მოზაიკით დამშვენებული წმ. ვიტალისა და წმ. აპოლინერის ეკლესიები რავენაში. Ი. I-ის ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ აღწერილი აქვს ისტორიკოსს ᲐᲒᲐᲗᲘᲐ სქოლასტიკოსს და რომანოზ მელოდოსს. *ნ. ლომოური.*

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲔᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ, *იუსტინიანეს კოდიფიკაციის* ერთ-ერთი ნაწილი, იმპერატორების ბრძანებულებათა (ე. წ. კონსტიტუციების) სისტემური კრებული. შეადგინა კომისიამ ბიზანტ. იმპ. *იუსტინიანე I* დიდის დავალებით (I რედაქცია 529, II — 534). დაყოფილია 12 წიგნად. მოიცავს საეკლესიო, კერძო, სისხლის, ადმ. და საფინანსო სამართალს, განსაზღვრავს სახელმწ. მოსამსახურეთა მოვალეობებს.

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲘᲐᲜᲔᲡ ᲙᲝᲓᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ, რომაულ-ბიზანტიური სამართლის სისტემური კრებული, რ-იც შეადგინა კომისიამ 529—534 *ტრიბონიანეს* მეთაურობით და დაამტკიცა იმპ. იუსტინიანემ. ცნობილია *„კორპუს იურის ცივილისის“* სახელწოდებით.

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲐ (ლათ. justitia — სამართლიანობა, კანონიერება), 1. მართლმსაჯულება, სასამართლო წარმოება; 2. სასამართლო ორგანოთა სისტემა, სასამართლო უწყება.

ᲘᲣᲡᲣᲤ I ᲯᲐᲤᲐᲠᲘ, ახალციხის ფაშა 1635—47. საფარ-ფაშას ძე. ქართ. წყაროებში იგი ათაბაგად ან ფაშა-ათაბაგად იხსენიება. XVII ს. 20—30-იან წლებში, როცა მესხეთი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, საფარ-ფაშა თურქ. ზონაში რჩებოდა ფაშად, ხოლო Ი. I — ირანის ზონაში. ასე ინარჩუნებდნენ ისინი თავიანთ სამემკვიდრო უფლებას სამცხე-ჯავახეთში. *შ. ლომსაძე.*

ᲘᲣᲡᲣᲤ II ᲯᲐᲤᲐᲠᲘ, ახალციხის ფაშა 1677—80. ოსმ. სულთნისაგან მას მინდობილი ჰქონდა დას. საქართვ. სამეფო-სამთავროების შეურვეობა. ქართლის მეფის გიორგი XII-ის თხოვნით Ი. II-მ 1683 იმერეთის სამეფო ტახტზე დასვა ბაგრატ IV-ის ძე ალექსანდრე IV. იბრძოდა საფაშოში მაჰმადიანური წეს-ჩვეულებების გავრცელებისათვის. *შ. ლომსაძე.*

ᲘᲣᲡᲣᲤ III ᲯᲐᲤᲐᲠᲘ, ახალციხის ფაშა 1737—44. *ისაᲒ I-ის* ძე. საფაშო ტახტზე ავიდა მამის სიცოცხლეშივე. ცდილობდა საქართვ. სამეფო-სამთავროებთან ბრძოლაში ჩაება დაღ. ფეოდალები. 1744 დიდი ხაზინითა და ჯარით დაიძრა ახალციხიდან. დაღესტანში ლეკთა ლაშქრის დასაქირავებლად. გზად, მდ. არაგვზე, ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა. უკუქცეული Ი. III აწყურში გარდაიცვალა და ტახტს კვლავ მამამისი დაუბრუნდა.

ლიტ.: ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., 1975. *შ. ლომსაძე.*

ᲘᲣᲡᲣᲤ ᲐᲚ-ᲡᲘᲜᲐᲘ (10. VI. 1917, კაირო, — 19. II. 1978, ნიქოზია), ეგვიპტელი არაბი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ეგვ. არაბთა რესპ. მწერალთა ასოციაციის გენ. მდივანი (1956-იდან). ᲟᲣᲠᲜ. „ᲚᲝᲢᲝᲡᲘᲡ“ მთავარი რედაქტორი. ავტორია მრავალი პროზაული ნაწარმოებისა, რ-ებშიც აისახა ეროვნ.-განმათ. ბრძოლის რომანტიკა, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐ და თანამედროვეობის თემატიკა (რომანები „პირმოთნეობის ქვეშეანა“, 1949; „თულუხჩი მოკვდა“, 1952; „დამიბრუნე გული“, 1954; „გზა დაბრუნებისა“, 1956 და სხვ.). დაჯილდოებულია მშვიდობის ოქროს მედლით (1960). Ი. ᲐᲚ-Ს. იყო აზიისა და აფრიკის ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ. ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ მოკლეს ტერორისტებმა.

იურული სისტემის სტრატიგრაფიული დანაწილების სქემა

სექციები	სართულები
ზედა (მალმი)	ტიტონური (ვოლგური)
	კიმერიჯული
	ოქსფორდული
	კალოვიური
შუა (დოგერი)	ბათური
	ბაიოსური
	აალენური
ქვედა (ლიასი)	ტოარსული
	პლინსბაზური
	სინემიურული
	პეტანგური

ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲘᲣᲠᲣᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ



ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲘ

ᲖᲦᲕᲐ ᲑᲐᲥᲜᲔᲑᲖᲔ

ᲖᲦᲕᲐ ᲒᲔᲝᲡᲘᲜᲙᲚᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲣᲠᲘ (ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲠᲘᲡᲤᲔᲠᲘ) ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘᲖᲛᲘ

ᲗᲐᲑᲐᲨᲘᲠᲘᲐᲜᲘ, ᲐᲜᲘᲖᲘᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲒᲜᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲘᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔ ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ

ᲯᲐᲑᲐᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲘᲣᲠᲣᲚ ᲜᲐᲚᲔᲥᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲐᲦᲬᲘᲔᲡ

ᲒᲝᲡᲘᲜᲙᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ

ᲒᲝᲜᲓᲕᲐᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲤᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ (ᲛᲘᲡᲘ ᲑᲔᲚᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲚᲐᲓ)

იუსუფ იდრისი (დ. 19. V 1927), ეგვიპტელი არაბი მწერალი. დაამთავრა კაიროს უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. მუშაობდა ექიმად. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1950-იდან. ი. ი-ის პირველი კრებული „ყველაზე იაფი ღამეები“ (1954) გამსჭვალულია უბრალო ადამიანებისადმი თანაგრძნობით. ავტორია მოთხრობებისა „ცოდვა“, „თეთრი ქალი“ (ორივე 1959); კრებულებისა „ფარხათის რესპუბლიკა“ (1955), „გმირი“ (1957) და სხვ.; პიესებისა „ბაშების მეფე“, „საპასუხისმგებლო მომენტი“ (ორივე 1957), „მიწიერი კომედია“ (1966) და სხვ. ი. ი-ის მოთხრობების გმირები არიან ფელაჰები, ხელოსნები, წვრილი ბურჟ. წარმომადგენლები. ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში ღრმავდება პიროვნების ფსიქ. და ფსიქოლ. ანალიზი; ი. ი. ცდილობს ამ ასპექტში გადაწყვიტოს ყველა, მ. შ. სოც. პრობლემაც.

იუტა (Utah), შტატი აშშ-ის დას. ნაწილში. ფართ. 219,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 1,2 მლნ. კაცი (1976), მ. შ. 82% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც.—ქ. სოლტ-ლეიკ-სიტი.

ზედაპირი უმთავრესად უდაბნოა. ტერიტ. დას. ნაწილი უჭირავს დიდი აუზის მთიანეთს, აღმოსავლეთი — კლდოვან მთებს (სიმაღლე 4114 *მ*-მდე), სამხრ.-აღმოსავლეთი — კოლორადოს პლატოს. ნალექები 250—400 *მმ* წელიწადში. მთავარი მდინარეა კოლორადო.

ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნ. და სამთომოპოვებითი მრეწველობა. სოფ. მეურნ. პროდუქციის 2/3-ზე მეტს იძლევა საძოვრული მეცხოველეობა. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ცხვარს. მოჰყავთ შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, საკვები ბალახი, უმთავრესად იონჯა. იღებენ ნავთობს, ბუნებრივ აირს, ქვანახშირს, რკინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის მადნებს, ოქროს, ვერცხლს. განვითარებულია ფერადი და შავი მეტალურგია, ნავთობგადასამუშ., ქიმ. და კვების მრეწველობა, რაკეტების წარმოება.

იუტენი (გერმ. Jüten), გერმანული ტომი, რ-იც ახ. წ. I ათასწლეულის დამდეგს ცხოვრობდა იუტლანდიის ნ.-კ-ის ჩრდ. ნაწილში. V—VI სს-ში ი-ის ნაწილი *ანგლებთან* და *საქსებთან* ერთად გადასახლდა ბრიტანეთში და მის სამხრ.-აღმ-ში დააარსა კენტის სამეფო. მატერიკზე დარჩენილი ი. დაიმორჩილეს დანიელებმა. მოგვიანებით ი. შევიდნენ დან. და ინგლ. ხალხების შემადგენლობაში.

იუტკევიჩი სერგეი იოსების ძე [დ. 15 (28). XII. 1904], საბჭ. კინორეჟისორი, მხატვარი, კინოს თეორეტიკოსი. სსრკ სახ. არტისტი (1962). სოციალისტური შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1939-იდან. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1941), პროფესორი (1940), გერმ. ხელოვნების აკად. წ.-კორ. რეჟისორული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია მხატვრული ფილმები: „მაქმანები“ (1928), „შავი იალქანი“ (1929), „ოქროს მთები“ (1931), „შემხვედრი“ (1932, ფ. ერმლერთან ერთად) და სხვ. დოკუმენტური ფილმები: „ანკარა — თურქეთის გული“ (1934), „განთავისუფლებული საფრანგეთი“ (1944) „ჩვენი ქვეყნის საჭაბუკე.“ 1946; სსრკ სახელმწ. პრემია, 1947). ი-ის შემოქმედების მთავარი თემაა ლენინი. მან ამ თემას პირველად მიმართა ფილმში „თოფიანი კაცი“ (1938, სსრკ

სახელმწ. პრემია, 1941). ამავე ციკლის ფილმებია: „მოთხრობები ლენინზე“ (1958), „ლენინი პოლონეთში“ (1966, პოლ. კინემატოგრაფისტებთან ერთად, სსრკ სახელმწ. პრემია, 1967). 50-იან წლებში ი-მა შექმნა ისტ.-ბიოგრ. ფილმები: „პრუტვალსკი“ (1952), „ალბანეთის დიდი მხედართმთავარი სკანდერბეგი“ (1954; სკანდერბეგის როლს ასრულებდა ა. ხორავა), „ოტელო“ (1956). 1929-იდან ხელმძღვანელობს სამსახიობო ფაკ-ტს კინემატოგრაფიის საკავშ. ინ-ტში. მიღებული აქვს კანის საერთაშ. კინოფესტივალის პრემიები (1946, 1954, 1956). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენითა და მედლებით.

იუტლანდია (დან. Jylland, გერმ. Jütland), ნახევარკუნძული ევროპაში, ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს შორის. ჩრდ-ით ეკვრის სკაგერაკის სრუტე, აღმ-ით კატეგატისა და მცირე ბელტის სრუტეები. ფართ. დაახლ. 40 ათ. *კმ*². ჩრდ. დიდი ნაწილი ეკუთვნის დანიას, სამხრ.—გფრ-ს. ი-ის ზედაპირი ბრტყელია, ოდნავ ტალღოვანი. მაქს. სიმაღლე 173 *მ*-მდე. აგებულია ცარცული და პალეოგენური კირქვებითა და თიხებით, რ-ებიც დიდ ნაწილზე დაფარულია ანთროპოგენური ნალექებით. სანაპიროები დაბალია, აღმ-ით ძლიერ დანაწევრებული. ჰავა ზომიერია, ზღვისა. იანვ. საშ. ტემპ-რა 0°C, ივლისისა 15—16°C. ნალექები 600 *მმ*-იდან (აღმ.) 800 *მმ*-მდე (დას.) წელიწადში. ი-ის ტერიტ. დაახლ. 90% კულტ. ლანდშაფტს უჭირავს. დას-ით წიწვოვანი ტყეებია, აღმ-ით—წიფლისა და მუხის. სარძევე მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, თევზჭერა. დიდი ქ-ებია: კილი, ფლენსბურგი (გფრ), ორჰუსი, ოლბორგი (დანია).

იუტლანდიის ბრძოლა 1916, I მსოფლიო ომის (1914—18) ყველაზე დიდი (ძალთა შემადგენლობით) საზღვაო ბრძოლა ინგლისისა და გერმანიის ფლოტებს შორის 31 მაისს — 1 ივნ. იუტლანდიის ნ.-კ-იდან 90 მილის დაშორებით. გერმანელთა „ღია ზღვის ფლოტში“ (ადმ. რ. შეერი) შედიოდა 22 ლინკორი (მ. შ. 16 დრედნოუტი), 5 სახაზო და 11 მსუბუქი კრეისერი, 61 საესკადრო ნაღმოსანი; ინგლ. „დიდი ფლოტი“ (ადმ. ჯ. ჯელიკო) ითვლიდა 28 ლინკორს (დრედნოუტი), 9 სახაზო, 8 ჯავშნოსან და 26 მსუბუქ კრეისერს, 79 საესკადრო ნაღმოსანს. ი. ბ. დაიწყო 31 მაისს, 14 *სთ* და 20 *წთ*, ავანგარდისა და მზვერავი რაზმების შეტაკებით. მთავარი ძალების გადამწყვეტ შებმას ორივე მხარემ თავი აარიდა. 19 *სთ* და 18 *წთ* გერმ. ფლოტი ბრძოლიდან გავიდა და იუტლანდიისკენ გაემართა. 1 ივნ., ღამის მცირე ბრძოლების შემდეგ, ფლოტები თავიანთ ბაზებს დაუბრუნდნენ. ი. ბ-ში ინგლ. ფლოტმა დაკარგა 3 სახაზო და 3 ჯავშნოსანი კრეისერი, 8 საესკადრო ნაღმოსანი; გერმ. ფლოტმა — 1 ძვ. სახაზო ხომალდი, 1 სახაზო და 4 მსუბუქი კრეისერი, აგრეთვე 5 საესკადრო ნაღმოსანი. გერმ. სარდლობის ვარაუდი, ი. ბ-ში ნაწილ-ნაწილ გაანადგურებინა და დაესუსტებინა ინგლ. ფლოტი, არ გამართლდა.

იუტუნჰეიმენი (Jotunheimen), უმაღლესი ზეგანი სკანდინავიის მთებში, ნორვეგიაში, სოგნე-ფიორდის ჩრდ.-აღმ-ით. აგებულია გაბროთი და დიაბაზებით. ი. ტიპური *ფიელდია*. აქვს ციცაბო, ნასხლეტი კალთები და მოსწორებული ზედაპირი, რ-ზეც აღმართულია ცალკეული მწვერვალები: გალჰპიგენი, 2469 *მ* (სკანდინავიის მთების უმაღლესი მწვერვალი), გლიტერტინი, 2452 *მ* და სხვ. საფრული გამყინვარების ფართ. დაახლ. 333,8 *კმ*², გაბატონებულია მთის ტუნდრა, კალთებზე წიწვოვანი და ტანბრეცილი არყის ტყეებია.

იუფეროვი ნიკოლოზ პეტრეს ძე (დ. 17. XI. 1922, ქუთაისი), საბჭ. კავშირის გმირი (6. V. 1945), გვარდიის პოდპოლკოვნიკი. სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა აეროკლუბი და სწავლა განაგრძო სამხ.-საჰაერო ძალების სასწავლებელში. 1941 გაგზავნეს ფრონტზე. ბრძოლებში ჩაება 1942 აპრილიდან. ი-მა გაიარა გზა რიგითი მფრინავიდან ავიაესკადრილიის მეთაურამდე. იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში და უკრაინის III ფრონტზე. მონაწილეობდა ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ავსტრიისა და იუგოსლავიის განთავისუფლებაში. აქვს 150 საბრძოლო გაფრენა. 1955 დაამთავრა ნ. ჟუკოვსკის სახ. წითელდროშოვანი სამხ.-საჰაერო ძალების აკადემია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

იუფშარა, მდინარე აფხ. კავკასიონის სამხრ. კალთაზე, გეგის მარცხ. შენაკადი. გამოდის რიწის ტბიდან. სიგრძე 11 *კმ*, აუზის ფართ. 236 *კმ*². სათავიდან 0,5 *კმ*-ზე იკარგება ნაზავში და 2 *კმ* შემდეგ გამოდის ზედაპირზე, მიედინება კანიონში, საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლით. წყალდიდობა აპრილ-მაისში, იშვიათად — ზამთარშიც. საშ. ხარჯი სათავეში 7,6 *მ*³/*წმ*. წყალი მუდამ სუფთაა. ი-ის ხეობაში გადის რიწის ტბისაკენ მიმავალი გზატკეცილი. *ი. აფხაზავა.*

იუშკევიჩი სემიონ სოლომონის ძე [25 XI (7. XII). 1868, ოდესა, — 12. II. 1927, პარიზი], რუსი მწერალი. დაიბადა შეძლებული ებრაელის ოჯახში. პირველი მოთხრობა „მკერავი“ გამოაქვეყნა 1897. მ. გორკის კრებულების „ზნანიეს“ მუდმივი ავტორი იყო. პოპულარობა მოუპოვა მოთხრობა „რლვევამ“ (1902). მის საუკეთესო თხზულებებში ნაჩვენებია ქალაქის ღარიბთა ცხოვრების, ეროვნ. ჩაგვრის მძიმე სურათები. წერდა პიესებსაც („ხელმწიფე“, 1906 და სხვ.). 1905—07 რევ. დამარცხების შემდეგ ი-ის შემოქმედებაში თავი იჩინა სასოწარკვეთის მოტივებმა.

იუშმანოვი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (1896—1946), საბჭ. ენათმეცნიერი, არაბისტი და აფრიკანისტი. ი-ის ძირითადი ნაშრომებია „სალიტერატურო არაბული ენის გრამატიკა“ (1928), „ამჰარული ენის წყობა“ (1936), „ჰაუსა ენის წყობა“ (1937), „არაბული ენის წყობა“ (1938).

ლიტ.: Крачковский И. Ю. Очерки по истории русской арабистики. М.—Л., 1950.

იუხო, სოფელი დუშეთის რ-ნში (ქვემო-თის სოფსაბჭო), მდ. ხადისწყლის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1240 *მ*, დუშეთიდან 78 *კმ*, მლეთის კოლ-ბა (მეცხვარეობა). რვაწლა სკოლა-ინტერნატი სოფ. კაიშაურნში (3 *კმ*).

იუხტი (ჰოლანდ. jucht), ცხენის ან ღორის გამოყენებული ტყავი. იმისთვის, რომ ი. იყოს რბილი, პლასტიკური და ულტობი, იგი გამოჰყავთ ნაცარტუტაში, თრიმლავენ ქრომის მარილებითა და ტანიდებით და პოხავენ, შემდეგ კი აპირკეთებენ სალებრებითა და ბზინვამიმცემი ნივთიერებებით. ი-გან ამზადებენ სამხ. და სამუშაო ფეხსაცმელს, სასარაჯო ნაკეთობებს და სხვ.

იფანი, კოპიტი (Fraxinus), ფოთოლმცვივანი ხეების გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. არქტომესამეული (თურღაის) ფლორის მეზოთერმული პერიოდის რელიქტი. მისი 67 სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ (იშვიათად ტროპ. და სუბტროპ.) სარტყელში. სსრკ-ში ველურად იზრდება 11 სახეობა, საქართველოში — 3, ესენია: ჩვეულებრივი ი. (F. exelsior) — 30-40 *მ*-მდე სიმაღლის სწორტანიანი ხე, გვხვდება საქართვ. თითქმის ყველა რ-ნში, კარგად ხარობს დაბლობისა და მთის შუა სარტყლის მეზოფილური ტყეების ნათელ უბნებში ფართოფოთლოვან ჯიშებთან ერთად. მთებში ზ. დ. 1800—2000 *მ*-მდე გვხვდება; თუთუბოფოთოლა ი. (F. coriariaefolia) — იზრდება კახეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტყეებში. გვხვდება გაველურებულადაც (თბილისში—ხუდა

ლოვის ტყეში); **მ ა ხ ვ ი ლ ნ ა ყ ო ფ ა**). (F. oxycarpa) — უმთავრესად დას. საართვ. ტყეებშია გავრცელებული; რგავენ იდეც (თბილ. მოდამოები). გარდა ამისა, აქართველოში O-ის 24 ეგზოტიკური საეობა იზრდება. O-ის მერქანი მაღალხარისხოვანია; ქერქი შეიცავს მთრიმლავა ნივთიერებებს, ფოთოლი — ვიტამინებს და თეროვან ზეთებს. იყენებენ ბაღ-პარკების, ყვე-პარკებისა და ქუჩების გასამწვანებლად. *მ. იმედაძე.*

ᲘᲨᲐᲠᲘ, სოფელი მესტიის რ-ში (ლახამულის სოფსაბჭო), მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 900 *მ*, მესტიიდან 55 *კმ*. ლახამულის ეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. კოლა სოფ. ლახამულაში (18 *კმ*).

ᲘᲤᲔ (Ife), ქალაქი ნიგერიაში, ოიოს შტატში. 176 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზების კვანძი. კაკაო-მარცვლის დამზადების უნქტი. O-ში არის უნ-ტი (დაარსდა 1961), უზეუმი. O-ს მახლობლად იღებენ ოქროს. O. ძვ. ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა დას. აფრიკაში. XII—IX სს-ში იყო *იორუბა* ხალხის ქალაქახელმწიფო. დღემდე იორუბა ხალხი O-ს ავის წინაპართა სამშობლოდ მიიჩნევს. ს პერიოდული შესწავლა 1908-იდან დაწყო, სისტემ. გათხრები — 1953-იდან. O-ს ატვრულმა კულტურამ, რ-იც თავისი რებით ნოკის კულტურასთან უნდა იყოს აკავშირებული, აყვავებას XII—XIV სს-ში მიაღწია. აქ აღმოჩენილმა ბრინჯაოსა ტერაკოტის ქანდაკებებმა მსოფლიო ციერება მოიპოვა, სრულყოფილებითა და ესტ. ფორმის სილამაზით გამოირჩევა ერაკოტისაგან დამზადებული თავები, ებიც სამსხვერპლოზე იდგმებოდა. O-ს ინჯაოს ქანდაკებამ დიდი გავლენა იქონია *ბენინის* მხატვრული კულტურის განთარებაზე.

ᲘᲤᲘᲒᲔᲜᲘᲐ (Iphigeneia), ძვ. ბერძნულ თოლოგიაში აგამემნონისა და კლიტემნესტრას ასული (ზოგი ვერსიით, თესევსისა ელენეს ასული). აგამემნონზე თუ მენელაეზე განრისხებული არტემიდა ბერძნებს ტროაზე სალაშქროდ გამგზავრების ბას არ რთავდა. მისან კალქანტის რჩევით, O. მსხვერპლად უნდა შეეწირათ ქალერთისათვის, მაგრამ სამსხვერპლოზე ტემიდამ O. შვლით შეცვალა, ტავრიაში წაიყვანა და იქ თავის ქურუმად აქია. გარკვეული ხნის შემდეგ ტავრიდან არტემიდას ქანდაკების წასაღებად ჩადა ორესტი, O-ს ძმა. O. მასთან ერთად იქცა საბერძნეთში. O-ს მითის სიუჟეტი შექმნილი ევრიპიდეს, რასინის, გოეს დრამები, -გლუკის ოპერა.

ᲘᲤᲘᲙᲠᲐᲢᲔ (Iphicratēs) (ძვ. წ. V ს. დასრ. — IV ს. I ნახ.), ძვ. საბერძნეთის ედართმთავარი. მდაბიო წარმოშობისა. ს სახელთან არის დაკავშირებული მსუქად შეიარაღებული მძიმავი დაქირაბული ქვეითი ჯარის (პელტასტების) ორგანიზაცია. არაერთხელ იყო სტრატეგოსად ათენში. მნიშვნელოვანი გამარჯებები მოიპოვა *კორინთის ომში* ძვ. წ. 5—386. *მოკავშირეთა ომში* ძვ. წ. 357—5 ლარატი დასწამეს, მაგრამ თავისი მამაცის წყალობით გამართლდა. ვარაუობენ, რომ სიცოცხლის ბოლო წლები რაკიაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა.

ᲘᲤᲜᲐᲠᲐ, სოფელი გორის რ-ში (ბოშურის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. ლთაზე. ზ. დ. 1200 *მ*, გორიდან 32 *კმ*. ეურნეობათაშორისო მეურნ. (მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ქვემო შურში (4 *კმ*). O-ში შემორჩენილია ფედ. ხანის ეკლესიის ნანგრევები.

ᲘᲤᲜᲐᲠᲘ, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოში (ბზიფის სოფსაბჭო), შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. ბზიფის მარჯვ. ნაპირეს. ზ. დ. 60 *მ*, გაგრიდან 15 *კმ*, ბზიფიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ*. ალინინის სახ. საბჭ. მეურნ. (მეთამბაქოობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა), ბზიფის სახლთმშენებლობის კომბინატი, რძისა და ხორცის კომბინატი, უალკოჰოლო სასმელების ქ-ნა. 3 საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კულტსახლი, მედპუნქტი, აფთიაქი, კაუშირგაბმ. განყ-ბა.

ᲘᲤᲜᲐᲠᲘ, სოფელი თეთრი წყაროს რ-წში (დმანისის სოფსაბჭო), სამღერეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თეთრწყაროსწყლის (ხრამის შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 1080 *მ*, თეთრი წყაროდან 5 *კმ*. გარისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა-ინტერნატი თეთრ წყაროში (5 *კმ*). O-ში არის სამშენებლო მასალა ბაზალტი.

ᲘᲤᲜᲣᲠᲐ (Dictamnus), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ტეგანისებრთა ოჯახისა. დიდი ზომისაა. სსრკ-ში 5 სახეობა იზრდება, რ-თა არეალი მოიცავს მთელ ევრაზიას, გარდა არქტიკული ნაწილისა. საქართველოში გვხვდება 2 სახეობა, მეტწილად ტყისპირებზე, ნათელ ტყეებში, ბუჩქნარებსა და ნაკაფებში, აგრეთვე ველებზეც. მცენარის ყველა ნაწილი მოფენილია შავი ჯირკვლებით, რ-ებიც დიდი რაოდენობით (განსაკუთრებით ყვავილობისას) გამოყოფენ ეთერიან ზეთებს (წყნარ ამინდში O-თან ანთებული ასანთის მიტანისას სწრაფად ჩნდება ალი, შეხებისას კანზე აჩენს წყლულებს). *ლ. ხინთიბიძე.*

ᲘᲤᲠᲐᲠᲘ, სოფელი მესტიის რ-ნში (კალის სოფსაბჭო), მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1800 *მ*, მესტიიდან 39 *კმ*. უშგულის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ლალხორში (1,5 *კმ*). სოფლის განაპირას, გორაკზე, დგას XI ს. მთავარანგელოზთა („თარინგზელ") ეკლესია. ნაშენია მოყვითალო შირიმის ქვის კარგად გათლილი ფილების სწორი რიგებით. აღმ. აფსიდი დარბაზის სივრცისგან გამოყოფილია სამმალიანი კანკელით. გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. ეკლესია მოუხატავს მეფის მხატვარ *თევდორეს* (მოხსენიებულია კანკელის ფრესკულ წარწერაში) 1096. ეკლესიის ფასადი მოუხატავს უფრო გვიანდ. ხანის ოსტატს. მხატვრობა არ შემორჩენილა. *ნ. ალადაშვილი.*

ᲘᲤᲠᲘᲙᲘᲐ, 1. ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში არაბები ჩრდ. ტუნისის ტერიტორიას, ჩრდ. აფრიკას საერთოდ (მომდინარეობს რომის პროვ. აფრიკის სახელწოდებიდან); 2. მთელი აფრიკის თანამედროვე არაბ. სახელწოდება.

ᲘᲤᲡᲘᲚᲐᲜᲢᲘ (Ypsēlantēs) ალექსანდრე (12. XII. 1792, კონსტანტინოპოლი, — 31. I. 1828, ვენა), ბერძენი არისტოკრატი, რუსეთის არმიის გენ.-მაიორი (1817), 1812 სამამულო ომის მონაწილე. 1816—17 რუს. მეფის ალექსანდრე I-ის ადიუტანტი. 1820 აპრილიდან საბერძნ. საიდუმლო რევ. ორგანიზაციის „ფილიკი ეტერიას" წევრი და ხელმძღვანელი. ბალკ. ხალხებს მოუწოდებდა ოსმ. ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მოაწყო აჯანყება მოლდოვაში, რ-იც *საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის* (1821—29) დასაწყისად იქცა. ვლახეთის 1821 აჯანყების მეთაურ ვლადიმირესკუსთან განხეთქილების გამო O-ის პოზიციები შესუსტდა და იგი 1821 ივნ. დრაგოშანთან ბრძოლაში თურქებმა დაამარცხეს.

ᲘᲤᲣᲖᲐᲝ, კ. ლუსონის (ფილიპინები) ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 100 ათ. კაცი (1970, შეფასება). O-ს ენა განეკუთვნება ინდონეზ. ენებს. უმრავლესობა ინარჩუნებს ძვ. რწმენებს (XX ს. დასაწყისამდე საწესო ჩვეულებებში შემორჩენილი ჰქონდათ ადამიანის თავებზე ნადირობა). ნაწილი ქრისტიანია. ძირითადი საქმიანობაა სპეთხნი მიწათმოქმედება. მოჰყავთ სიმინდი, ბატატი, ჩინური კარტოფილი, ბამბა. განვითარებულია ხელოსნობა, ოქიქრობა, წენა, მჭედლობა.

ᲘᲤᲔᲚᲘ, საშემოდგომო ხორბლის ადგილობრივი ჯიში. აქვს თითისტარისებრი ან ცილინდრული თავთავი, ნახევარრქისებრი მარცვალი. 1000 მარცვლის წონაა 35—40 *გ*. დარაიონებულია ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რ-ნებში. *იხ.* აგრეთვე *რბილი ხორბალი.*

ᲘᲤᲜᲘ, სოფელი მესტიის რ-ნში (ლატალის სოფსაბჭო), მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს, ბალის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1600 *მ*, მესტიიდან 12 *კმ*. მესტიის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. ლატალის საშ. სკოლა სოფ. იენაშში (2 *კმ*). ბ-კა.

ᲘᲥᲔᲓᲜᲔ (Pseudechis), შხამიანი გველების გვარი ასპიტისებრთა ოჯახისა. ზოგიერთი სახეობის სხეულის სიგრძე 3 *მ*-მდე აღწევს. კვერცხცოცხლადმშობია. გავრცელებულია ავსტრალიასა და ახალ გვინეაში. ცნობილია 4—5 სახეობა, მ. შ. აღსანიშნავია შავი O. (P. porphyriacus), რ-იც აღმ. ავსტრალიაში გვხვდება.

ᲘᲥᲔᲓᲜᲘᲡᲔᲑᲠᲜᲘ (Tachyglossidae), ძუძუმწოვარი ცხოველების ოჯახი ერთგასავლიანების ქვეკლასისა. ცნობილია 2 გვარი: 1. იქედნე (Tachyglossus) თავისი 2 სახეობით—ავსტრალიური იქედნე (T. aculeatus) და ტასმანიური იქედნე (T. setosus), და 2. პროიქედნე 3 სახეობით. ა ვ ს ტ რ ა ლ ი უ რ ი ი ქ ე დ ნ ი ს სხეულის სიგრძე 50 *სმ* აღწევს. ზურგი დაფარული აქვს გრძელი რქოვანი ეკლებით. მოკლე ფეხები მთავრდება მძლავრი ბრჭყალებით, რ-ებიც მომარჯვებულია -მიწის სათხრელად, კბილები არა აქვს. სხეულის ტემპერა დამოკიდებულია გარემოს ტემპ-რაზე. დედალი კვერცხს ატარებს ჩანთით; ნაშიერი აქ იჩეკება და იკვებება რძით.

ა. ჯანაშვილი.

ᲘᲥᲗᲘᲝᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ (Ichthyosauria), ნამარხ ქვეწარმავალთა რიგი იქთიოპტერიგიების ქვეკლასისა. არსებობდნენ გვიანი ტრიასულიდან გვიანი ცარცული პერიოდის დასაწყისამდე, განსაკუთრებით გავრცელდნენ იურულ პერიოდში. მათი თითისტარისებური, გვერდებზე შებრტყელებული სხეულის სიგრძე 12 *მ* აღწევდა. ჰქონდათ ერთი ზურგის ფარფლი და მძლავრი კუდის ფარფლი, ძლიერ დამოკლებული კიდურები საჭის ფუნქციას ასრულებდნენ. ნესტოები თავის ქალაზე უკან იყო გადაადგილებული. დაგრძელებული ყბები აღჭურვილი ჰქონდათ ხშირი და წვეტიანი კონუსური კბილებით, დიდი ზომის თვალები—დაცული სკლეროტული ფირფიტებით. O. ცოცხლადმშობი ცხოველები იყვნენ. *ლ. გაბუნია.*



იქთიოზავრი.

ᲘᲥᲗᲘᲝᲖᲘ (<ბერძნ. ichthys — თევზი), ქ ს ე რ ო დ ე რ მ ა, კანის ქრონიკული დაავადება; კანის დიფუზიური სიმეტრიული ანომალია, რ-ის დროსაც კანის რქოვანი შრე სქელდება, მის ზედაპირზე გროვდება თევზის ქერცლის მსგავსი გარქოვანებუ-

იქთიორნისები. იქთიორნისის ჩონჩხი.



იქსოდისებრი ტკიპები. ზემოთ—მამალი; ქვემოთ—მატლისებრი დვდალი.



იყალთოს აკადემიის შენობა.

იყალთოს სამონასტრო კომპლექსი. VI—XIII სს. საერთო ხედი.

ლი ფირფიტები. ამ დროს კანი მშრალია, ოფლი და ცხიმი ნაკლებად გამოიყოფა. O. არ არის გადამდები, შემთხვევათა 50%-ში იგი ოჯახობრივი, 25%-ში კი მემკვიდრეობითი დაავადებაა. O. ჩვეულებრივ ვლინდება დაბადებიდან მე-2—მე-3 წელს, ძლიერდება სქესობრივი მომწიფების პერიოდში და მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება. დაზიანებულია მთელი კანი იღლიის ფოსოების, სახსრებისა და საზარდულის კანის ნაოჭების გარდა.

მკურნალობა: ცხელი, მარილიანი ან სოდიანი აბაზანა, კანის დამარბილებელი მალამო; დასალევად — თევზის ქონი, ვიტამინები (კერძოდ, A ვიტამინი). ზაფხულში — ზღვაში ბანაობა.

იქთიოლოგია (ბერძნ. ichthys — თევზი და ...ლოგია), ხერხემლიანთა ზოოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის თევზებს, მათ აგებულებას, ორგანოების ფუნქციას, ცხოვრების ნირს, სისტემატიკას, გავრცელებას, ევოლუციას (იხ. *თევზები*). იქთიოლ. გამოკვლევები ხელს უწყობენ თევზმეურნეობის რაციონალურ წარმოებას, უზრუნველყოფენ მეთევზეობის და თევზჭერის განვითარებას. O-ის დარგში უძველესი ცნობები აქვთ ინდ. მეცნიერებს (სუსრუტა, ძვ. წ. VI ს. და სხვ.). პირველი წიგნი თევზების შესახებ ჩინეთში გამოქვეყნდა დაახლ. 2500 წლის წინათ. არისტოტელემ ძვ. წ. IV ს. თევზები გამოყო წყლის ხერხემლიანების ცალკე ჯგუფად. XV ს. II ნახევრიდან იწყება თევზების მეცნ. შესწავლა. XIX ს. დამლევისათვის ზღვისა და მტკნარი წყლის თევზების სისტემატიკისა და ბიოლოგიის შესახებ დიდძალი მასალა დაგროვდა. საყურადღებოა ფრანგი მეცნიერების პ. ბელონისა და გ. რონდელეს, იტალ. ი. სალვიანის, შვედი პ. არტედისა და კ. ლინეს, გერმ. მ. ბლოხისა და სხვ. შრომები. რუს. იქთიოფაუნის შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ს. კრაშენინიკოვს, პ. პალასს და სხვ. XIX ს-ში O. დამოუკიდებელი მეცნიერების სახით გამოეყო ზოოლოგიას. რუს. მკვლევართაგან, რ-ებმაც O. გაამდიდრეს თავიანთი გამოკვლევებით, აღსანიშნავი არიან კ. ბერი, ნ. დანილევსკი, ვ. ვრასკი, ნ. ბოროდინი, ვ. სოლდატოვი, ნ. კნიპოვიჩი, ლ. ბერგი, ა. სევერცოვი, გ. ნიკოლსკი, ა. სვეტოვიდოვი და სხვ.

XX ს. შუა წლებიდან დღემდე იქთიოლოგებმა დაამუშავეს თევზის ზრდის, ასაკის, გამრავლების, რაოდენობრივი დინამიკის, გავრცელებისა და მიგრაციების შესწავლის სრულყოფილი მეთოდები. იქთიოლ. გამოკვლევების მეთოდიკაში და თევზმეურნ. პრაქტიკაში სულ უფრო მეტად ინერგება ფიზ. და ქიმ. მეთი.დები. O-ის თანამედროვე კვლევის ძირითადი პრობლემებია თევზის ქარავნების დინამიკა, განვითარება, ქცევა, მიგრაციები, ზღვებსა და მტკნარ წყალში რაციონალური თევზმეურნეობების გაშენება, თევზის ათვისების ინტენსიურობის გადიდება, იქთიოფაუნის რეკონსტრუქცია და სხვ.

არსებობს საერთაშ. გაერთიანებები, რ-ებიც ხელს უწყობენ იქთიოლ. გამოკვლევების განვითარებას. მ. შ. უდიდესია ზღვების შემსწავლელი საერთაშ. საბჭო (არსებობს 1902), აგრეთვე ჩრდ.-დას. ატლანტიკაში თევზჭერის კომისია; სსრკ-ისა და იაპ. თევზჭერის კომისია და სხვ. O-ში ფართო გამოკვლევებს ატარებენ სსრკ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, გდრ, გფრ, შვეიცია, ინდოეთი და სხვ.

სსრკ-ში იქთიოლ. გამოკვლევები ტარდება სსრკ-ისა და წყნარი ოკეანის ზღვების თევზმეურნ. და ოკეანოგრაფიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში, სსრკ მეცნ. აკად. ზოოლ., ოკეანოლოგიის ინ-ტებში და სხვ. აგრეთვე მოსკ., ლენინგრ., თბილ. და სხვ. უნ-ტებში.

იქთიოლოგთა კადრებს ამზადებენ მოსკ., ლენინგრ., ოდესის, თბილ. და სხვ. უნ-ტები. ყველა სამეცნ. გამოკვლევის კოორდინაცია ხდება სსრკ-ის თევზმეურნ. სამინისტროს იქთიოლ. კომისიისა და სსრკ მეცნ. აკად. O-ისა და ჰიდრობიოლ. პრობლემათა სამეცნ. საბჭოში.

საქართვ. იქთიოფაუნის შესახებ მასალებს ვპოულობთ ძვ. და ახ. მკვლევართა შრომებში. XVII ს. დასაწყისში ა. ლამბერტის დასახელებული აქვს სამეგრელოს თევზების მრავალი სახეობა. XVIII ს. I ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონს მოცემული აქვს საქართველოში გავრცელებული თევზების სია. საქართვ. იქთიოფაუნის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ი. *გიულდენშტედტმა*, რ-მაც აქ იმოგზაურა XVIII ს. დამლევს. XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში საქართვ. იქთიოფაუნის მკვლევართა შორის აღსანიშნავი არიან ა. ნორდმანი, კ. კესლერი, კ. დერიუგინი, ი. მრეკლოვი, ი. არნოლდი, კ. სატუნინი, ლ. ბერგი, გ. ბარაჩი და სხვ. მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩაატარეს ყოფ. კავკ. (ახლა საქართველოს) სახელმწ. მუზეუმისა და თევზმოშენებისა და თევზჭერის რუს. საზ-ბის თბილ. განყ-ბის თანამშრომლებმა. საქართვ. იქთიოფაუნის სისტემ. შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სსრკ. მეცნ. აკად. საქართ. ფილიალი და მასთან ზოოსექტორი, ხოლო 1941 — საქ. სსრ მეცნ. აკადემია. მის სისტემაში ჩამოყალიბდა ზოოლ. ინ-ტი, სადაც იკვლევენ საქ. სსრ იქთიოფაუნას (მ. დემეტრაშვილი, რ. ელანიძე). საქართვ. იქთიოფაუნის შესწავლას ეძღვნება აგრეთვე ვ. შარვაშიძისა და გ. კოკოჩაშვილის, ო. ბურჭულაძის, ჯ. მესხიძის და სხვათა გამოკვლევები. შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონის იქთიოფაუნას იკვლევს სსრკ ზღვების თევზმეურნ. და ოკეანოგრაფიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართვ. განყ-ბის მეცნიერთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

ლიტ.: ბურჯანაძე მ., საქართველოს მტკნარი წყლების თევზთა სარკვევი, თბ., 1940; საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 4, თბ., 1979. *ა. ჯანაშვილი.*

იქთიორნისები (Ichthyornithes), ამოშწყდარი ფრინველების რიგი. გავრცელებული იყვნენ ცარცულ პერიოდში. ცნობილია O-ის 2 გვარი ჩრდ. ამერიკიდან. O-ის სიმაღლე 1 *მ* აღწევდა. ჰქონდათ ორმხრივ ჩაზნექილი მალები, ფოსოებში ჩამჯდარი წვრილი ბასრი კბილები, კარგად განვითარებული ქედიანი მკერდის ძვალი და ფრთები. კარგად ფრენდნენ. იკვებებოდნენ თევზებით.

იქსოდისებრი ტკიპები (Ixodidae), სამოვრის ტკიპები, ტკიპების ოჯახი. აქვთ 10 *მმ* სიგრძის სხეული. განვითარების ციკლი მოიცავს კვერცხსა და 3 აქტ. სტადიას (ლარვა, ნიმფა და ზრდასრული ფორმა). იკვებებიან 3—10 დღე სიცოცხლეში ერთხელ. გამამძლარი ტკიპა სცილდება მასპინძელს და დებს 3—10 ათ-მდე კვერცხს. O. ტ. გავრცელებულია ყველა მატერიკზე, გარდა ანტარქტიდისა. ოჯახში 1000-მდე სახეობაა. სსრკ-ში 100, საქართველოში ცნობილია 29 სახეობა. O. ტ. პარაზიტობენ გარეულ (ქვეწარმავლები, ძუძუმწოვრები და ფრინველები) და შინაურ ცხოველებზე. იკვებებიან სისხლით, ხშირად ადამიანზეც პარაზიტობენ. გადააქვთ ადამიანის დაავადებებისა (ტკიპისმიერი ენცეფალიტი, ტკიპისმიერი ტიფი, ჰემორაგიული ცხელება, ცხელება -Q, ტულარემია) და *პიროპლაზმოზის* გამომწვევები. საქართველოში ცნობილია პათოგენური ტკიპების რამდენიმე სახეობა: Boophilus calcaratus — გადააქვს ძროხის პიროპლაზმოზი და ანაპლაზმოზი; Rhipicephalus bursa — ცნობილია როგორც ძროხის, ცხენისა და ცხვრის რამდენიმე სახეობის სისხლის პარაზიტული დაავადებების გადამტანი. *ნ. ჯაფარიძე.*

იქტა (არაბ. იკტა), ტერმინი, რ-იც აღნიშნავდა შუა საუკუნეებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალისათვის მიწის ნაკვეთის პირობით ბოძებას (ბენეფიციუმის სახით). O. გაჩნდა არაბთა სახელმწიფოში VII ს-ში და განსაკუთრებით გავრცელდა VIII—X სს-ში, აბასიანების დროს. სახალიფოში O. გულისხმობდა: 1. მიწის გაცემას გარკვეული გადასახადის გადახდის პირობით (ი. თამლიქი); 2. მიწის შემოსავლის გაცემას ჯამაგირის ან პენსიის სახით (ი. ისთიღლალი). პირველ შემთხვევაში გაიცემოდა მიწა, რ-იც არ იყო კერძო მფლობელობაში. სამაგიეროდ, მიწის მიმღები იხდიდა მიწაზე დაწესებულ გადასახადს—ხარაჯას ან უშრს. მეორე შემთხვევაში გაიცემოდა მიწის შემოსავალი, როგორც სახელმწ. ხაზინის მიერ გარკვეული თანხის გადახდის გარანტია. O-ის მიწა სახელმწ. საკუთრებად იფლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად უკვე IX ს-იდან ლენის ტიპის პირობით ფეოდ. კერძო საკუთრებად იქცა. X ს. შემდეგ O-ის მიღების აუცილებელ პირობად იქცა სამხ. სამსახური. O. ძირითადად იმით განსხვავდებოდა სახელმწ. მიწისაგან, რომ თუ სახელმწ. მიწაზე ერთადერთ მესაკუთრედ დგებოდა უშუალო ექსპლუატატორად (ფეოდანს. აპარატის მეშვეობით) სახელმწიფ. ითვლებოდა, O-ის მიწაზე გადასახადს აკრეფისა და ამ მიწის მართვის უფლებას O-ის მფლობელის (მუქტაი) ხელში იყო. O-ის მიწის ფონდი ძალიან გაიზარდა სელჩუკების (XI—XII სს.) და ჰულაგუიანების (XIII—XIV სს.) სახელმწიფოებში. ირან., შუა აზიასა და აზერბაიჯანში O-ის მფლობელებმა საგადასახადო იმუნიტეტთან ერთად XIV ს. შუა წლებში ადმ. და სასამართლო იმუნიტეტიც მოიპოვეს. ეს ვიპტეში O. განსაკუთრებით გავრცელდა *აიუბიდების* (XII—XIII სს.) და *მამლუქების* (XIII—XVI სს.) დროს და შემორჩა XIX ს. დამდეგამდე. O. როგორც პირობითი ფეოდ. მფლობელობის ფორმა, ცნობილია *დელის სასულთნოში*. დიდ მოგოლთა იმპერიაში იგი ჯაგირად იწოდებოდა. O-ის შესახებ ოსმალთა იმპერიაში იხ. *ზეამეთი* და *თიმარი*.

ე. სიხარულიძ

ილუმენი (ბერძნ. hēgumenos, სიტყვ. სიტყვით — წინამძღოლი), მართლმადიდებლური მონასტრის წინამძღოლი ან მოდამხმარე. კათოლ. ეკლესიაში O-ს შეესაბამება *აბატი*.

იყალთო, სოფელი თელავის რ-ნში, გორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სოს საბჭო. ზ. დ. 700 *მ*, თელავიდან 7 *კმ*. შუა რუსთაველის სახ. კოლ-ბა (მეფენატობა), ღვინის პირველადი გადამუშავების ქ-ნა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, მეტპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. O-ს მიდამოებშია იყალთოს სამონასტრო კომპლექსი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, შუა რუსთაველის სახ. სახალხო უნ-ტი.

იყალთო, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი თელავ. ჩრდ-ით, 7—8 *კმ*-ზე. დააარსა ერთ-ერთ ასურელმა მამათაგანმა ზენონმა VI ს-ში. O. ქართ. კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს (XI—XII სს.) აქ ა. დემია დაუარსებია. ჩვენამდე მოღწეულ აქაური ხელნაწერები, რ-ებიც შედარებ. გვიანდ. ხანისაა და O-ს აკადემიის შესა

ნობებს არ შეიცავს. კომპლექსიდან შეორჩენილია 3 ეკლესია და სხვადასხვა ანიშნულების ნაგებობათა, მ. შ. აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები. ეკლესიათაგან მთავარია VIII—IX სს. ფერისვალების ეკლესია „ღვთაება" (აგებულია მ ძვ. ეკლესიის ადგილას, რ-შიც დაკრძალული იყო ზენონი), სამების მცირე ეკლესია, რ-შიც მიუხედავად საფუძვლიანი ადაკეთებისა, შემორჩენილია VI ს. გუმათოვანი ეკლესიის ნაწილები და ყველაზე-მიდის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც XII—XIII სს. მიჯნას მიეკუთვნება. აკადემიის ეგმით წაგრძელებული შენობა რიყის ვით არის ნაშენი. პირველი სართული 2 ათახისაგან შედგება,მეორე კი ერთი მთლინი დარბაზია (24,5 *მ*×9 *მ*) და, როგორც ანს, სამეც. შეკრებათათვის იყო იმთავე განკუთვნილი. შენობა სტილით VIII-IX სს. ფეოდ. სასახლეებს ენათესაეა და აგებულიც მაშინ უნდა იყოს.

ლიტ: ბერიძე ვ., ძველი ქართული ეროთმოძღვრება, თბ., 1974.

ლ. მენაბდე. შ. სალარაძე.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ, უმაღლესი სასწავლებელი XI—XII სს. საქართველოში. მას ადასტურებს მონასტრის ეზოში შეორჩენილი შენობის ნანგრევები, რ-იც აერო დანიშნულების ნაგებობას უფრო გავს, ვიდრე სამონასტროსი. ნანგრევებში ანს კათედრის ფუძე, დამახასიათებელი ახჩა-ფანჯრები. შენობა მონუმენტური უნდა ყოფილიყო, გელათის აკად. შენობის ბგავსი, იმ განსხვავებით, რომ Ი. ᲐᲐ-ის შეობა ორსართულიანია. Ი. ᲐᲐ-ის პირველი ექტორი იყო *არსენ იყალთოელი,* რ-იც ქ გელათიდან გადმოსულა. ქართ. აკადეიებში, კერძოდ, Ი. ᲐᲐ-შიც სწავლება ძირითადად ტრივიუმ-კვადრივიუმის ციკლის საგნებს ითვალისწინებდა. ისწავლებოდა აგრეთვე მჭედლობა, კერამიკა („მეეცეობა") და მევენახეობა-მეღვინეობა.

ᲘᲕᲐᲜᲗᲣᲠᲐᲔᲕᲐ სარა აბდურაჰმანის ასული [დ. 26. X (8. XI). 1911, ბეშბულაქი, ანგიყორღანის რ-ნი, ნამანგანის ოლქი], ეზბეკი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1951). სკკპ წევრი 1942-იდან. 1927 ეაამთავრა მოსკ. განათლების სახლთან არებული უზბ. თეატრ. სტუდია. 1927-იდან ამზას სახ. ტაშკენტის დრამ. თეატრის მსახიობია. შეასრულა დილბარის, ინახონის (იაშენის „ორი კომუნისტი", ღირსება და სიყვარული"), ოფელიას, ეზდემონას (შექსპირის „ჰამლეტი", ოტელო") და სხვ. როლები. სსრკ სახელმწ. პრემია (1949, 1977). დაჯილოებულია 2 ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

ᲘᲨᲘᲐ (ბერძნ. ischo — ვაკავებ, ვაჩერებ და haima—სისხლი), სისხლნაკლებობა ამა თუ იმ ორგანოში ან მის ცალკეულ ბანში; იწვევს სისხლის მომტანი არტერიის სანათურის შევიწროება ან სრული ახშვა. Ი-ის მიზეზი შეიძლება იყოს *ომბოზი, ემბოლია, ენდარტერიიტი,* რტერიის *სპაზმი* და სხვ. Ი-ის დროს ორანოში კლებულობს სისხლის მიმოქცევის ნტენსივობა, ეცემა სისხლის წნევა, მცირდება მოქმედი კაპილარების რიცხვი, ორანო ფერმკრთალდება, ქსოვილებს აკლდება ჟანგბადი (იხ. *ჰიპოქსია*), ირღვევა ივთიერებათა ცვლა და ორგანოს ფუნქია. Ი-ით გამოწვეული ცვლილებები დამოიდებულია სისხლის მიწოდების დარღვევის ხარისხზე, Ი-ის ხანგრძლივობაზე, ჟანგბადის ნაკლებობის მიმართ ქსოვილების გრძნობელობაზე და ორგანიზმის საერთო დგომარეობაზე; ზოგჯერ დაზიანებული ორგანოს ან ქსოვილის სტრუქტურა და ფუნქცია მთლიანად აღდგება, მძიმე Ი-ის დროს კი შეიძლება განვითარდეს ნეკროზი ინფარქტი), რაც განსაკუთრებით სახიათოა გულის კუნთის (იხ. *გულის კუნთის ნფარქტი*) და თავის ტვინის Ი-ის დროს.

ბ. მჭედლიშვილი.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲜᲢᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ქიმიური ელემენტები, ო-თა რაოდენობა დედამიწის ქერქში მეტად მცირეა და რ-ებიც არ წარმოქმნიან მნიშვნელოვან დაგრეგებებს. ამ სახელწოდებით პირობითად გაერთიანებულია 60-მდე ქიმ. ელემენტი. აქედან 50-მდე იშვიათი ლითონია, დანარჩენი—ინერტული აირები (He, Ne, Ar, Kr, Xe, Rn). საკუთრივ იშვიათი ლითონები თავისი ფიზ.-ქიმ. თვისებისა და სხვა ნიშნების მიხედვით შემდეგ ჯგუფებად იყოფა: მსუბუქ (Li, Rb, Cs, Be), ძნელდნობად (Ti, Zr, Hf, V, Nb, Ta, Mo, W), იშვიათ მიწათა (Sc, Y, La და ლანთანოიდები), რადიოაქტიურ (Fr, Ra, Po, Ac, Th, Pa, U) და გაფანტულ (Ga, In, Ta, Ge, Se, Te, Re) ლითონებად. Ge, Se, Te პირობითად ითვლება ლითონებად, რადგან ისინი ნახევრად გამტარებია. ეს კლასიფიკაცია პირობითია, რადგან ელემენტთა უმრავლესობა ერთდროულად შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნოს: მაგ., Rb და Cs მსუბუქი ელემენტებიცაა და გაფანტულიც; ტიპური გაფანტული ელემენტი Re, ამავე დროს ძნელდნობადიცაა, ხოლო ტიპური ძნელდნობადი ლითონები V და Hf გაფანტული ელემენტებია. Ი. Დ. Გ. Ე. დედამიწის ქერქში გვხვდება იზომორფული, მოლეკულურ-გაფანტული და ატომურ-გაფანტული სახით. Ი. Დ. Ბ. Ე-ის ბუნებაში გავრცელების შესახებ იხ. სტ. *კლარკი* ელემენტისა.

ლიტ.: ივანიცკი თ., ჭოიავა ვ., ზოგადი გეოქიმიის მოკლე კურსი, თბ., 1972.

თ. მგელიაშვილი.

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ელემენტთა ჯგუფის პირობითი სახელწოდება. Ი. Ე-ს მიეკუთვნება 50 იშვიათი ლითონი და ყველა *ინერტული აირი.* Ი. Ე-ის გავრცელება ბუნებაში იხ. სტ. *კლარკი.*

ᲘᲨᲕᲘᲐᲗ ᲛᲘᲬᲐᲗᲐ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ელემენტთა პერიოდული სისტემის III ჯგ. თანაური ქვეჯგუფის ქიმ. ელემენტები: *სკანდიუმი* Sc (ატ. ნომერი Z=21), *იტრიუმი* Y (39), *ლანთანი* La (57) და *ლანთანოიდები* (14 ელემენტი, Z=58—71). თუმცა Sc ყოველთვის არ მიაკუთვნებენ Ი. Ე-ს, თავისუფალ მდგომარეობაში Ი. Ე. ლითონებია. „იშვიათ მიწათა" უწოდეს იმის გამო, რომ იშვიათად გვხვდება დედამიწის ქერქში, ამასთან მათი ჟანგეულები წყალში პრაქტიკულად უხსნარია, რისთვისაც ადრე „მიწებს" უწოდებდნენ.

ᲘᲨᲗᲐᲠᲘ, ასურულ-ბაბილონურ მითოლოგიაში მთავარი ქალღმერთი. დროთა ვითარებაში მისი სახელი ქალღმერთის ზოგად სახელწოდებად იქცა. Ი-ის მთავარი საკულტო ცენტრი იყო ქ. *ურუქში,* სადაც იგი ცის ღმერთის, ანუს, მეუღლედ ითვლებოდა. Ი-ის ბუნება ორგვარია; რაც ლაკონურად არის გამოხატული ერთ ჰიმნში: „იშთარი ვარ, მწუხრის ქალღმერთი, იშთარი ვარ, ცისკრის ქალღმერთი". შუამდინარელი ორჯერ ხედავდა Ი-ის ასტრალურ ხატს: საღამოთი — მწუხრის ვარსკვლავის სახით, დილით — ცისკრის ვარსკვლავის სახით. პირველი Ი. სიყვარულის ქალღმერთია; იგი აშობინებს, მაგრამ თავად უშობელი მარადქალწულ ქალღმერთად რჩება. მისი სატრფოა მწყემსი თამუზი, რ-ის გამოსახსნელად Ი. ქვესკნელში ჩადის, ხოლო ამ ხნის მანძილზე დედამიწაზე წყდება გამრავლება. Ი., როგორც დილის ვარსკვლავი, ბრძოლის ქალღმერთია, მშვილდოსანი, რ-იც წინ მიუძღვის ლაშქარს. ასურულ-ბაბილონურ პანთეონში Ი. შე-2 ტრიადის წევრია (სინ—შამაშ—იშთარი), მისი საკულტო ცხოველებია ძუ ლომი და მტრედი, საკრალური რიცხვი — 12.

ზ. კიკნაძე.

ᲘᲨᲘᲐᲡᲘ (ბერძნ. ischisa<ischion—მენჯი, თეძო, მრ. რ. ischia—საჯდომი), წელგავის რადიკულიტი, ზურგის ტვინის წელ-გავის მიდამოს ფესვებისა და განსაკუთრებით საჯდომი ნერვის ფესვების დაავადება. ახასიათებს ძლიერი ტკივილი გავის მიდამოში და საჯდომი ნერვის გასწვრივ. გამომწვევი მიზეზები იგივეა, რაც *რადიკულიტის* შემთხვევაში. Ი. შეიძლება იყოს პირველადი, რასაც იწვევს მაავადებელი ფაქტორის (გაცივება, ინფექცია, ტრავმა) უშუალო ზემოქმედება საჯდომ ნერვზე, ან მეორეული, როდესაც პათოლ. პროცესი (ხერხემლისა და მალთაშუა დისკოების დაავადება, უროლოგიური, გინეკოლ. დაავადებები და სხვ.) მეზობელი ორგანოდან საჯდომ ნერვზე ვრცელდება. Ი. ხშირია სამ. და ხანშესულ ასაკში.

მკურნალობა: მწვავე სტადიაში წოლითი რეჟიმი (ავადმყოფი უნდა იწვეს მაგარ საწოლზე), ულტრაიისფერი დასხივება, ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი, ნოვოკაინის ბლოკადა; მოგვიანებით — იონიზაცია ნოვოკაინთან და კალიუმიოდიდთან ერთად, დიათერმია, მასაჟი, სამკურნ. ფიზკულტურა, B_1 და B_{12} ვიტამინები; მძიმე, გახანგრძლივებულ შემთხვევაში—ქირურგ. ოპერაცია.

ᲘᲨᲘᲛᲑᲐᲘ, ქალაქი (1940-მდე დაბა) ბაშკ. ასსრ-ში. მდებარეობს მდ. ბელაიის (კამის შენაკადი) ორივე ნაპირზე. რკინიგზის სადგ. იშიმბაევო, უფიდან 166 *კმ.* 58 ათ. მცხ. (1977). ნავთობის მრეწვ. დიდი ცენტრი. ნავთობგადასამუშ. და ნავთობის მოწყობილობათა ქ-ნები, წინდებისა და ტრიკოტაჟის თეთრეულის ფ-კა, თეცი. ნავთობის ტექნიკუმი.

ᲘᲨᲘᲛᲘ, მდინარე რსფსრ და ყაზ. სსრ-ში. მდ. ირტიშის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 2450 *კმ,* აუზის ფართ. 177 ათ. *კმ*². სათავე აქვს ყაზ. წერილგორაკების ჩრდ. კიდეზე, ნიაზის მთებში. საზრდოობს თოვლის წყლით. გაზაფხულზე იცის ხანმოკლე წყალდიდობა, შემოდგომა-ზამთარში წყალმცირეა. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 215 *კმ*-ზე 56,3 *მ*³/*წმ,* მაქს — 686 *მ*³/*წმ.* იყინება ნოემბერში, ყინულძვრა აპრილ-მაისშია. Ი-ზე არის წყალსაცავები. იყენებენ სარწყავად. სანაოსნოა პეტროპავლოვსკის ზემოთ 270 *კმ*-ზე და ვიკულოვოდან შესართავამდე. Ი-ის ნაპირზეა ქ-ები: ცელინოგრადი, დერჟავინსკი, ესილი, პეტროპავლოვსკი, იშიმი.

ᲘᲨᲘᲛᲘ, ქალაქი რსფსრ ტიუმენის ოლქში, მდ. იშიმის (ირტიშის შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. 63 ათ. მცხ. (1977). „იშიმსელმაში", აგტომისაბმელების და მექან. ქ-ნები, სამკერვალო, ხალიჩების, ავეჯის, ფეხსაცმლის ფ-კები, წისქვილ-, ხორც- და ყველკარაქის კომბინატები, საკონდიტრო ფ-კა, ლიქიორ-არაყის და ლუდის ქ-ნები. პედ. ინ-ტი, სოფ. მეურნ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი.

ᲘᲨᲚᲘᲜᲡᲙᲘ ალექსანდრე იულის ძე [დ. 24. VII (6. VIII). 1913, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი მექანიკის დარგში. სსრკ მეცნ. აკად. (1960) და უკრ. სსრ მეცნ. აკად. (1948) აკადემიკოსი. სოციალ. შრომის გმირი (1961). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1935), 1944-იდან პროფესორია იქვე. 1948—55 უკრ. სსრ მეცნ. აკად. მათ. ინ-ტის, ხოლო 1964-იდან მექან. პრობლემათა ინ-ტის დირექტორი. სამეცნ.-ტექ. საზ-ბის საკავშ. საბჭოს თავ-რე (1970). საინჟინრო ორგანიზაციების მსოფლიო ფედერ. ვიცე-პრეზიდენტი (1971). მისი უმთავრესი შრომები ეხება დრეკადობის, პლასტიკურობის თეორიას, რხევებისა და გიროსკოპების თეორიას. სსრკ IX—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ლენინური პრემიის ლაურეატი (1960). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით. 2 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ლიტ.: А. Ю. Ишлинский, К., 1970 (Библиография ученых УССР).

ᲘᲨᲢᲕᲐᲜ I წმიდა (István I Szent) (დაახლ. 970—975—15. VIII. 1038, გრანი), უნგრეთის მთავარი 997-იდან, უნგრ. პირველი მეფე (1000 ან 1001-იდან) *არპადების* დინასტიიდან. უნგრეთში ქრისტიანობის გამავრცელებელი. ჩააქრო წარ-

ს. იშანთურაევა.

იშთარი. ქალღმერთ იშთარის ქანდაკება მარიდან ძვ. წ. XVIII ს. პალები. მუზეუმი.



ა. იშლინსკი.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ. ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. 1032.

მართ დიდკაცთა აჯანვება. მისი მმართველობის დროს დასრულდა უნგრ. ადრინდ. ფეოდ. სახელმწიფოს ჩამოყალიბება. Ი. I-მა ბოლო მოუღო უნგრ. ტომობრივ დაყოფას და შემოიღო ტერიტ.-ადმ. ოლქები—სამეფო კომიტატები, რ-თაც სათავეში იშპანები ჩაუყენა. 1030 მოიგერია გერმ. ფეოდალების თავდასხმა უნგრეთზე. უნგრ. კათოლ. ეკლესიამ 1038 Ი. I წმინდანად შერაცხა.

ᲘᲨᲢᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ მარტონ (დ. 1929, ბუდაპეშტი), უნგრელი ფოლკლორისტი, ქართველოლოგი, მთარგმნელი. უნგრ. მეცნ. აკად. ეთნოგრაფიის ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბის გამგე. უნგრ. კპ წევრი. 1955—59 სწავლობდა თსუ-ის ასპირანტურაში ფოლკლორის განსრით. 1959 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე «„სქესის მეტამორფოზის“ სიუჟეტიანი ზღაპრის ქართული ლოკალური რედაქციის გენეზისის პრობლემა». 1968 უნგრ. მეცნ. აკად. საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა ნაშრომი ქართ. ხალხ. პოეზიის შესახებ, რ-შიც საფუძვლიანად გაანალიზებულია „არსენას ლექსი“ და გურული „ფირალის ეპოსი“. Ი-მა თარგმნა ქართ. ხალხ. ზღაპრები (გამოიცა ბუდაპეშტში სათაურით „მეფე და ტოროლა“ 1958), ს.-ს. ორბელიანის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის თხზულებანი, პოეტ მარტონ კალაშთან ერთად — ი. ჭავჭავაძის პოემები „აჩრდილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „განდეგილი“ (გამოიცა ბუდაპეშტში სათაურით „ღამის მხედარი“, 1961).

ქ. სიხარულიძე.

ᲘᲨᲢᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ მიხაი, იხ. *უნგროველაბელი* მ.

ᲘᲨᲣᲢᲘᲜᲘ ნიკოლოზ ანდრიას ძე [3 (15). IV. 1849, სკრდობსკი, ახლანდ. პენზის ოლქი, — 5 (17). I. 1879, კარა], ერთერთი პირველი რუსი პროფესიონალი რევოლუციონერი, უტოპისტ-სოციალისტი. მოსკოვის უნ-ტში სწავლის პერიოდში ჩამოაყალიბა რევ. ორგანიზაცია (1863—66); ალექსანდრე II-ზე თავდასხმის საქმესთან დაკავშირებით 1866 დააპატიმრეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, რაც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. 1868-მდე იმყოფებოდა შლისელბურგის ციხის ცალკე საკანში, შემდეგ, ფსიქიკურად დაავადებული, გადაასახლეს აღმ. ციმბირში, კატორღაში.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘ (Salmo ischchan), თევზი ორაგულისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია მხოლოდ სევანის ტბაში; სადაც წარმოქმნის 5 რასას. სხეულის სიგრძე აღწევს 35—90 *სმ*, მასა 16 *კგ*-მდე. იკვებება უმთავრესად კიბოსნაირებით. ძვირფასი სარეწაო ობიექტია. იყენებენ ნედლს, გაყინულსა და შებოლილს. კარგი საკლიმატიზაციო ობიექტია. კარგად შეეგუა ისიკ-ქოლის პირობებს. Ი-ის ერთ-ერთი რასაა გეგარკუნი, რ-მაც Ი-ის განსაკუთრებული ფორმა წარმოქმნა.

მ. დემეტრაშვილი.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო ცენტრი. მდებარეობს ტაოში; მდ. ოლთისისწყლის მარჯვ. ნაპირზე (ახლა თურქეთის ფარგლებშია). თავდაპირველი ეკლესია (*ბანის* ტიპის წრიული გარსშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი) VII ს. 30-იან წლებში ეპისკოპოსმა ნერსესმა ააშენა. არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX ს. I ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. X ს-ში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს, მაგრამ საბოლოო სახე ტაძარმა 1032 ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ *ივანე მორჩაისძის* ხელში მიიღო. Ი-ის თავდაპირველი, ნერსესისეული, ტაძრისაგან გადარჩა მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით. ძვ. აფსიდი გარედან მთლიანად ღაფარულია ახ. კედლებით. ახლანდელი ტაძარი თვალსაჩინოდ წაგრძელებული ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა, რ-ის ჯვარისებრი მოხაზულობა თითქმის მთლიანად იხატება გარედანაც მიწის დონეზე. დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავები სწორკუთხაა. საკურთხეველის აფსიდის ორივე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. დასავლეთის მკლავი წარმოადგენს სწორკუთხა დარბაზს, რ-ის გრძივი კედლები პლასტიკურადაა დანაწევრებული კედლის სვეტებით. ჩრდ-ით მას გრძელი, უაფსიდო სადგომი ეკვრის. გუმბათი ეყრდნობა 4 თავისუფლად მდგომ ბოძს, რ-თაც ძლიერ პროფილირებული და ჩუქურთმებით შემკული ბაზისები და სვეტისთავები აქვს. მრგვალი გუმბათის ყელი შიგნიდან და გარეგან წვრილი ლილვებითა და გრეხილებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემკული.

Ი-ის ტაძარი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და ხარისხით თავისი დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ტაძრის შიგნით ძველი, XI ს. I ნახ., მხატვრობის ფრაგმენტებია. დიდი ეკლესიის გვერდით ჩუქურთმებით შემკული პატარა სამლოცველოა (1066). Ი-ის მონასტერი კულტ -საგანმ. კერა იყო. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ნუსხის მინაწერი მოგვითხრობს იშხნელ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობაზე. ილარიონ იშხნელის (X—XI სს.) დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტურ თხზულებათა კრებული (A—35) და მესტიის სახარება (1033). ამბერკი იშხნელის (XVI ს.) დავალებითა და დახმარებით განუახლებიათ 1233-ით დათარიღებული ხელნაწერი (A—85).

ლიტ.: ᲑᲔᲠᲘᲫᲔ Ვ., ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ, თბ., 1974.

შ. სალარაძე. ლ. მენაბდე

ილუსტრაცია—ის. ჩანართი, გვ.193.

ᲘᲨᲮᲐᲜᲘᲫᲘ, ჰერეთის მეფე დაახლ. 943 — X ს. 60-იან წწ., ადარნასე პატრიკის ძე. Ი-ის თანამმართველი იყო დედამისი, დინარ დედოფალი, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი. იბნ ჰაუკალის თხზულების მიხედვით, Ი-ის მეფობის დროს ჰერეთი დეილამის მთავრების — სალარიდების სახელმწიფოს ვასალი იყო. X ს. 50-იან წლებში Ი-მა ისარგებლა სალარიდების სახელმწიფოში შინაფეოდ. ომები და ხარკის მიცემა შეწყვიტა.

ქართ. წყაროების მიხედვით, Ი-ის მეფობის დროს ჰერეთმა უარყო მონოფიზიტობა და აღიარა ქალკედონური მრწამსი. ეს ფაქტი იმას მოასწავებდა, რომ ჰერეთის პოლიტ. ორიენტაცია მიმართული იყო ქართლისაკენ.

წყარო: ᲒᲐᲮᲣᲨᲢᲘ, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მ. ტიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ Თ., ᲰᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

ᲘᲨᲮᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲓᲔᲑᲘ ᲘᲨᲮᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა ოჯახი, ვოკალური კვარტეტი დების: ნინო (1898—1967), თამარ (დ. 1900), ზინაიდა (1902—68) და ალექსანდრა Ი-ის (1904—1955) შემადგენლობით [1955-იდან ალექსანდრა Ი. შეცვალა მისმა დამ მარიამმა (1889—1973)]. ანსამბლი ოფიციალურად ჩამოყალიბდა 1941. იმავე წელს ანსამბლი საქართველოს ფილარმონიამ მიიწვია კონცერტებში მონაწილეობისათვის. დიდია Ი-ის როლი ქართ. სამხმიანი ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის დახვეწის, რეპერტუარის გამდიდრებისა და პროპაგანდის საქმეში. ანსამბლს ხელმძღვანელობდა თამარ იშხნელი. იგი რამდენიმე სიმღერის მუსიკის ავტორიცაა („არც ჰოს ამბობს, არც არასო“, „შენ აყვავდი, ქართლო, მეტად“, „ახალი წელი“, „არ დაიჯერებ“ და სხვ.). Ი-ის კვარტეტი სამამულო ომის წლებში სამხ. ნაწილებში მართავდა კონცერტებს. 1949 Ი-ს მიენიჭათ საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწეთა წოდება. 1965 მარიამ იშხნელს — საქ. სსრ დამს. არტისტის წოდება, ხოლო 1976 თ. იშხნელს საქ. სსრ სახ. არტისტის წოდება. კვარტეტმა იარსება 1967-მდე. თამარ იშხნელი 1972-იდან გამოდის როგორც ქართული და ძვ. რუსული რომანსების შემსრულებელი.

მ. თაბუკაშვილი.

ᲘᲨᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲝ, ეპარქია ფეოდალურ საქართველოში. ცენტრი იშხანი (ახლანდ. თურქ. ტერიტ.), ოლთისისწყლის (ახლანდ. ოლთუ-ჩაი) მარჯვ. სანაპიროზე. დაარსდა IX ს. შუა წლებში ბაგრატ I კურაპალატის ინიციატივით. პირველი ეპისკოპოსი იყო საბა იშხნელი, გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწე. Ი. ს. ეპარქიაში შედიოდა ძვ. ქართ. პროვინციები: თორთომი, პარხალი და სხვ. იშხნელს საკმაოდ საპატიო როლი ჰქონდა საქართველოს მეფეთა კურთხევისა და დარბაზობის დროს. იგი საქართვ. საეკლ. იერარქიაში რიგით მეათე იყო (იხ. აგრეთვე სტ. *იშხანი*).

დ. მუსხელიშვილი.

ᲘᲨᲮᲜᲘᲡ ᲭᲔᲓᲣᲠᲘ ᲯᲕᲐᲠᲘ, ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლი. ვერცხლის მოოქრული ჯვარი, რ-იც, წარწერის თანახმად, 973 ეპისკოპოს ილარიონს იშხნის მონასტრისთვის შეუკვეთია, რაც ირკვევა წარწერიდან, რ-იც ასე იკითხება: „ქ. ძ. ლო ცხორებისაო წინამძღუარ და მფარველ ექმენ ილარიონ ეპისკოპოსსა. ქრისტე ადიდენ მეფენი ჩუენნი და ერი მათი დაიფარე. ქორონიკონი იყო რუგ“. ჯვრის ზო



ᲘᲨᲮᲐᲜᲘ. ᲒᲔᲒᲛᲐ.

1:5 300 000
3000 2000 1000 200 0 200 500 1000
იტალიის ოლქები
I ვალე-დ-ოსტა
II პიემონტი
III ლომბარდია
IV ტრენტინო ალტო ადიჯე
V ვენეტია
VI ფრიული ვენეზია ჯულია
VII ლიგურია
VIII ემილია რომანია
IX ტოსკანა
X მარკე
XI უმბრია
XII ლაციო
XIII აბრუცი
XIV მოლიზე
XV კამპანია
XVI აპულია
XVII ბასილიკატა
XVIII კალაბრია
XIX სიცილია
XX სარდინია

იტალია, ეკონომიკური რუკა



მებია: სიმაღლე 51 *სმ*. ტარის სიმაღლე 31,3 *სმ*. ამჟამად ჯვარი საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმში ინახება. ჯვარცმული ქრისტეს ფიგურა შესრულებულია სკულპტურულად, თუმცა იგრძნობა არქაულობა. ქანდაკებისათვის დამახასიათებელი ნიშნები — მოცულობა, ფორმათა სიმკვრივე — დიდი მხატვრული ძალითა და დინამიკითაა გადმოცემული.

ილუსტრაცია— იხ. ჩანართი, გვ. 352.

ᲘᲩᲘᲜᲬᲐᲘᲐ-ᲡᲝᲞᲐᲯ, ხოამენი, უმაღლესი და ერთადერთი აქტიური ვულკანი კამჩატკის შუა ქედზე. სიმაღლე 3621 *მ*. აგებულია ანდეზიტური და დაციტური ლავებით. მწვერვალის 3 გუმბათი მარადი თოვლითა და მყინვარებით არის დაფარული. დაახლ. 3000 *მ* სიმაღლეზე *ფუმაროლები* და *სოლფატარები*ა; არის ბევრი გეიზერდითი და წიდის კონუსი.

ᲘᲪᲔᲠᲘᲐ, ავსტრალიური ღარებიანი ცრუფარიანა (Icerya purchasi), მწუწნავი მწერი კოქციდების ქვერიგისა. ციტრუსოვანი კულტურების საკარანტინო მავნებელია. აზიანებს სხვა მცენარეებსაც. დედლის სხეული ოვალურია, მოწითალოყავისფერი, სიგრძით 5—7 *მმ*. კვერცხის დების პერიოდში გამოყოფს თეთრ, ღარებიან საკვერცხე ჩანთას (ოვისაკს). Ი-ს სამშობლოა ავსტრალია, საიდანაც სარგავ მცენარეებთან ერთად გავრცელდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც კი მოჰყავთ ციტრუსოვნები. სსრკ-ში Ი. გავრცელებულია სუბტროპ. ზონაში, შავი და კასპიის ზღვის სანაპიროებზე. წლის განმავლობაში ვითარდება 2—3 თაობა. მამალი Ი. იშვიათია, ის ფრთიანია. დედალი მაისში 100—2000 კვერცხს დებს, Ი-ს მატლები ზოგჯერ მრავალრიცხოვან კოლონიებს ქმნიან, რის შედეგადაც ღაზიანებული მცენარე ზრდაში ჩამორჩება და ნაკლებ მოსავალს იძლევა. ბრძოლის ღონისძიებებიდან ძირითადია მტაცებელი ხოჭოს — როდოლიას გავრცელება Ი-ს კერებში; იშვიათად ხდება ნარკოტიკებით დამუშავება. *ᲨᲐᲥᲘᲑᲔᲘᲚᲘ.*

ᲘᲪᲥᲘᲡᲘ, სოფელი საჩხერის რ-ნში (არგვეთის სოფსაბჭო), მდ. იზვარის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 660 *მ*, საჩხერიდან 8 *კმ*. სოფ. სავანის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (ეემინდვრეობა, მეცხვარეობა). საყალიბე ქვიშების კარიერი. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. სავანეში (4 *კმ*). ბ-კა. შემორჩენილია ციხესიმაგრის ნანგრევები.

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ, იხ. სტ. *სამედიცინო იძულებითი ღონისძიება*.

ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ, ანტაგონისტური ფორმაციებისათვის დამახასიათებელი შრომის საზოგადოებრივი ფორმა, რ-ის დროს მომუშავე იძულებულია გაბატონებული კლასისთვის გასწიოს *ზედმეტი შრომა* ეკვივალენტის გარეშე. Ი. შ. წარმოიშობა საზ-ბის საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც იქმნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის პირობები და არის შესაძლებლობა ზედმეტი პროდუქტის შექმნისა. Ი. შ-ის პირველი ფორმა იყო მონური, შემდეგი კი — ყმოდ.-ბატონყმური. ეს უკანასკნელი მონობასთან შეღარებით პროგრესული ფორმა იყო, მაგრამ გარკვეულ საფეხურზე საწარმოო ძალების განვითარების მუხრუჭად გადაიქცა.

XVII—XVIII სს-ში ბურჟ. რევოლუციების შედეგად წარმოიშვა Ი. შ-ის კაპიტალ. ფორმა, რ-იც ადრე არსებული ფორმებისაგან განსხვავებით, დაქირავებულ მუშას ფორმალურად, იურიდიულად ათავისუფლებს, მაგრამ იმის გამო, რომ მუშა მოკლებულია წარმოების საშუალებებს, იგი იძულებულია კაპიტალისტს მიყიდოს თავისი *სამუშაო ძალა*.

ᲘᲒᲜᲐ, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ამბროლაურის საქალაქო საბჭო), მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 640 *მ*, ამბროლაურიდან 1 *კმ*. ამბროლაურის კოლ-ბა (მეკენახეობა). საშ. სკოლა ამბროლაურში. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში.

ᲘᲮᲔᲢᲣᲐᲜᲗᲐ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ, გლეხებისა და ქალაქის ღარიბების ანტიიმპერიალისტური აჯანყება ჩრდილოეთ ჩინეთში 1899—1901. აჯანყების ინიციატორი იყო ფარული რელიგ. საზ-ბა იხეციუანი („მუშტი სამართლიანობისა და თანხმობისათვის"). მოგვიანებით იხეციუანის აჯანყებულთა რაზმებს დაერქვა იხეტუანები (სამართლიანობისა და თანხმობის რაზმები, აქედან—აჯანყების სახელწოდება). აჯანყება დაიწყო შანდუნის პროვინციაში. 1900 დამდეგს მისმა ცენტრმა დედაქალაქის პროვ. ჯილიში გადაინაცვლა. აჯანყება გავრცელდა შანსისა და მანჯურიის პროვინციებში. მთავრობის ჯარი ვერაფერს გახდა იხეტუანთა წინააღმდეგ 13—14 ივნ. იხეტუანები შეიჭრნენ პეკინში და ალყა შემოარტყეს საელჩოების კვარტალს. ალყა 56 დღეს გაგრძელდა. იმპერიალ. სახელმწიფოებმა (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, საფრანგეთი, იაპონია, აშშ, მეფის რუსეთი, იტალია) ინტერვენცია მოაწყვეს ჩინეთში. 17 ივნ. მათმა ჯარებმა დაიკავეს დაგუს ფორტები. აჯანყებულთა შიშით ცინის მთავრობამ ომი გამოუცხადა იმპერიალ. სახელმწიფოებს, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია ინტერვენტებისაგან ქვეყნის დასაცავად. იგი განაგრძობდა დამსჯელ ოპერაციებს იხეტუანთა წინააღმდეგ. ივლ. შუა რიცხვებში უცხოეთის ჯარებმა სძლიეს იხეტუანებს, აგვ-ში პეკინი აიღეს და მოაწყვეს დამსჯელი ექსპედიციები აჯანყების ცალკეული კერებისა და მშვიდობიანი მოსახლ. წინააღმდეგ. 1901 აჯანყება ჩაახშვეს, თუმცა ცალკეულ რ-ნებში ბრძოლა 1902-მდე გრძელდებოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იმპერიალისტებმა ჩინეთს თავს მოახვიეს კაბალური „დასკვნითი ოქმი".

ᲘᲮᲕᲔᲑᲘ, ბატისნაირთა რიგის ფრინველთა რამდენიმე გვარი. გაერთიანებული არიან *იხვისებრთა* ოჯახში. ფართოდ არიან გავრცელებული ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიდისა. Ი. იყოფა 3 ჯგუფად: ნამდვილი Ი., ყვინთიები და ბატასინები. საშ. და დიდი ზომის ფრინველებია. კარგად ცურავენ და ფრენენ. აქვთ სარეწაო მნიშვნელობა. ნამდვილ Ი-ს გემრიელი ხორცი აქვთ. წონა მერყეობს 250-იდან 2000 *გ*-მდე. ყვინთიებისა და ბატასინების ხორცი უფრო დაბალი ღირსებისაა.

Ი. მიმომფრენი ფრინველებია. სსრკ ტერიტორიაზე Ი-ის უმრავლესობა იზამთრებს კასპიის ზღვის სამხრ.-დას. და სამხრ.-აღმ. სანაპიროებთან. სსრკ-ში გავრცელებულია 13 გვარის 39 სახეობა. საქართველოში 8 გვარის 12 სახეობაა, რ-თა უმრავლესობა აქ მიმოფრენისა და ზამთრის პერიოდებში გვხვდება. ზოგი ბუდობს კიდეც ზოგიერთი შიდა წყალსატევების ნაპირებზე. საქართველოში (ჯავახეთში) მობუდარი იხვებიდან აღსანიშნავია: წითელი იხვი (Casarca ferruginea), თეთრშუბლა იხვი (Anas penelope), გარეული იხვი (Anas platyrhynchos), წითელნისკარტა ყურყუმელა (Netta rufinae), ქოჩორა ყურყუმელა (Nyroca fuligata) და სხვ.

შინაური იხვი (Anas domestica) წარმოშობილია გარეული Ი-გან, რ-იც დაახლ. ძვ. წ. 1000-ზე ადრე მოიშინაურეს ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 6—7 თვისა. კვერცხების ყოველ ციკლში (5—6 თვე) დებს 90—130 კვერცხს, თითოეული 85-90 *გ* იწონის. კვერცხის საინკუბაციო ვადაა 27—28 დღე. მოზრდილი მამალი იხვი იწონის 3—5 *კგ*, დედალი — 2—3,5 *კგ*. პროდუქტიულობის მიხედვით Ი-ის ჯიშები იყოფა: სახორცე (პეკინური, უკრაინული რუხი, შავი თეთრგულა და სხვ.), სახორცე-მეკვერცხული ან მეკვერცხულ-სახორცე (ხაკი-კემპბელი, ფრთასარკა და სხვ.) და მეკვერცხული (ინდური მარბოლარები). სახორცედ კლავენ 50 — 55 დღის Ი-ს, როცა თითოეული 2,5 *კგ* და მეტს იწონის.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, საქართველოში Ი. შემოიყვანეს და მოამრავლეს XVII ს-ში; აქ მისი სახორცედ გამოზრდა ყველა კლიმ. ზონაში შეიძლება.

ლიტ.: Абакумов В., Утководство в специализированном хозяйстве, М., 1968. *მ. კუტუბიძე, ე. მებუკე.*

ᲘᲮᲕᲘᲜᲯᲐ (Anas querquedula), ფრინველთა სახეობა *იხვისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 35 *სმ*, წონა 280—550 *გ* აღწევს. მამალს თავზე თვალიდან კისრამდე ქათქათა თეთრი ზოლი გასდევს; აქვს მოცისფრო ფრთები, მუქი მკერდი. Ი. ბინადრობს ევროპისა და აზიის ზომიერ სარტყელში ბალახით მოფენილ ღია ჭაობებში და ტბების სანაპიროებზე. გადამფრენი ფრინველია. იზამთრებს ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში, აფრიკისა და აზიის სამხრ. ნაწილში. საქართველოში გვხვდება მოზამთრედ. იკვებება უმთავრესად მოლუსკებით, წყლის მწერებითა და მათი მატლებით, წყლის კიბოსნაირებით. სპორტ. ნადირობის ობიექტია.

ᲘᲮᲕᲘᲡᲔᲑᲠᲜᲘ (Anatidae), ფრინველების ოჯახი ბატისნაირთა რიგისა. ოჯახში გაერთიანებულია ბატები, გედები და იხვები. იგი შეიცავს 56 გვარის 170 სახეობას, რ-თაგან 24 გვარის 57 სახეობა გვხვდება სსრკ ტერიტორიაზე, ხოლო 10 გვარის 25 სახეობა — საქართველოში.

ᲘᲮᲕᲜᲘᲡᲙᲐᲠᲢᲐ (Ornithorhynchus anatinus), ძუძუმწოვარი ცხოველი ერთგასაგლიანების ქვეკლასისა. მისი სიგრძე 45 *სმ* აღწევს. აქვს გაბრტყელებული სხეული, მოკლე ფეხები, საცურაო აპკით გაერთიანებული თითები, გრძელი და ბრტყელი რქოვანი ნისკარტი. სხეული შემოსილია უხეში ფაცაცით, რ-ის ქვეშ ნაზი თივთიკია. ფერად მუქი მურაა. იკვებება ნაირგვარი ცხოველებით. გავრცელებულია ავსტრალიასა და ტასმანიაზე. კარგად ცურავს და ფვინთავს. ბინადრობს სოროში. მრავლდება წელიწადში ერთხელ. დებს 1—2 კვერცხს. ნაშიერებს კვებავს რძით.

ᲘᲮᲢᲘᲚᲐ (ყოფ. ერტილა), სოფელი ახალქალაქის რ-ნში (ბარალეთის სოფსაბჭო), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1720 *მ*, ახალქალაქიდან 22 *კმ*. მეცხოველეობის ხაბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

ᲘᲯᲐᲠᲐ სამოქალაქო სამართალში, ხელშეკრულება, რ-ის მიხედვითაც ერთი მხარე (გამქირავებელი) ვალდებულებას კისრულობს საზღაურის მიღების პირობით გადასცეს მეორე მხარეს (დამქირავებელს) რაიმე ქონება დროებითი სარგებლობისათვის. იგივეა, რაც ქონებრივი *ქირაობა*. იხ. აგრეთვე *მიწის იჯარა*.

ᲘᲯᲐᲠᲐ საერთაშორისო სამართალში, ხელშეკრულების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიის ნაწილის დათმობა მეორე სახელმწიფოსათვის დროებითი სარგებლობის მიზნით. საიჯარო ტერიტ. არ უნდა იქნეს გამოყენებული იჯარით მიმცემი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრ-

იხვები

რუხი იხვი (Anas strepera).



ჭიკვარა (Anas crecca).

ამლაგი იხვი (Gadorna tadorna).

ბოლოსადგისა (Anas acuta).

იხვინჯა.

იხვნისკარტა.

დები იშხნელები. მარცხნიდან მარჯვნივ: თამარი, ნინო, ზინაიდა, ალექსანდრა.

თხოების წინაალმდეგ. იმპერიალ. სახელმწიფოთა პრაქტიკაში Ი. ხშირად ექსპანსიის საშუალებაა, განსაკუთრებით მუდმივი Ი., რ-იც პრინციპულად შეუთავსებელია თანამედროვე საერთაშ. სამართალთან. სსრკ-ს Ი. მიაჩნია სხვა სახელმწიფოებთან ეკონ. თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების საშუალებად. მაგ., სსრკ-სა და ფინეთს შორის 1962 წ. 27 სექტ. დადებული ხელშეკრულებით სსრკ-მა ფინეთს 50 წლის ვადით Ი-ით მისცა საიმის არხის ნაწილი და კ. მცირე ვისოცკი.

ᲘᲯᲐᲠᲔᲗᲘ, სოფელი ადიგენის რ-ნში (ლელოვნის სოფსაბჭო), არსიანის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1260 *მ*, ადიგენიდან 3 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 33 *კმ*. ადიგენის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა, მემცენარეობა). საშ. სკოლა სოფ. ლელოვანში (2,5 *კმ*).

ᲘᲯᲐᲠᲔᲗᲘ. სამრეკლო. აღმოსავლეთის ფასადი. XIII ს. I ნახევარი.

ᲘᲯᲐᲠᲔᲗᲘ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ამავე სახელწოდების სოფლის განაპირას, სამხრ. საქართველოში (ისტ. სამცხეში), რ-ნული ცენტრის, ადიგენის, მახლობლად. მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს შემორჩენილია კომპლექსის ნაშთები (ეკლესია, საძვალე, გალავანი და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია სამრეკლო — საქართველოში ამ ტიპის ნაგებობათა ერთ-ერთი უძველესი ნიმუში. სამრეკლოს ქვედა სართული გახსნილ გასასვლელს კი არ წარმოადგენს, როგორც ეს *გუდარეხსა* და *ზარზმაშია*, არამედ დახურულ, ოთხივე მხარეს კედლებით შემოზღუდულ დამოუკიდებელ სამლოცველოს. შენობის ზემო, მე-2 იარუსი — ღია მალებისაგან შედგენილი ფანჩატური, მთლიანად დანგრეულია. Ი-ის სამრეკლო თავისი ერთადერთი გადარჩენილი აღმ. ფასადის მიხედვით XIII ს. I ნახ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლთა ჯგუფს მიეკუთვნება.

თ. საყვარელიძე.

ᲘᲯᲔᲕᲐᲜᲘ, ქალაქი (1961-მდე დაბა) სომხ. სსრ-ში. მდებარეობს აღსტევის ხეობაში, ერევან—თბილისის საავტ. გზაზე, რკინიგზის სადგ. აღსთაფიდან 41 *კმ*. ხალიჩების, ხის დასამუშ., ბენტონიტის კომბინატი, მანქანების წარმოება ხე-ტყის მრეწველობისათვის, ლუდისა და ყველის ქ-ნები, სატყეო მრეწვ. მეურნეობა. საშენ მასალათა წარმოება. ინდუსტრ.-ტექნოლ. ტექნიკუმი, მუზეუმი. ,სახ. და თოჯინების თეატრები.

ᲘᲯᲝ, ᲘᲯᲐᲣ (საკ. სახელწ. ᲘᲯᲔ), სამხრ. ნიგერიაში, მდ. ნიგერის დელტაში მცხოვრები ხალხი. დაახლ. 0,9 მლნ. კაცი (1973, შეფასება). Ი-ს ენას პირობითად გვინეის ენათა ჯგუფს მიაკუთვნებენ. უმრავლესობა ქრისტიანია, ნაწილი ინარწმუნებს ადგილ. ტრად. რწმენებს. XV ს. დასაწყისში დააარსეს ქ. ბონი, რ-იც მონათვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი იყო დას. აფრიკაში. ძირითადი საქმიანობაა ტროპ. მიწათმოქმედება (ჩინური ,კარტოფილი, მანიჰოტი, ბატატი), ზეთის პალმის ნაყოფის შეგროვება და თევზჭერა.

ᲘᲐᲠᲐ, ᲘᲑᲐᲠᲐ საიკაკუ (ნამდვ. სახელი ᲰᲘᲠᲐᲘᲐᲛᲐ ᲢᲝᲒᲝ) (1642—1693), იაპონელი მწერალი. წერდა *ჰაიკუს* ჟანრის სახუმარო ლექსებს. სათავე დაუდო ქალაქური ნოველის ჟანრს — „მოთხრობები წუთისოფელზე". მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებია რომანები „მარტოხელა კაცის სასიყვარულო თავგადასავლები" (1682), „მარტოხელა ქალის სასიყვარულო თავგადასავლები", მოთხრობათა კრებ. „სიყვარულში გადავარდნილი ხუთი ქალი" (ორივე 1686). Ი. ამხელდა იაპ. ადათ-წესების სისასტიკეს, კანონის სიმკაცრეს. ბოლო წლების თხზულებებში, ნაწილობრივ, სახელგანთქმულ კრებულში „იაპონიის საუკუნო საუნჯე" (1688) Ი. დაინტერესებულია მოქალაქეთა ეკონ. და სოც. ცხოვრებითაც; წერდა ცოცხალ სალაპარაკო ენაზე. საფუძველი ჩაუყარა ახ. სტილს იაპ. ლიტ-რაში.



კ, ქართული ანბანის მეათე (ძვ. ქართ. მეთერთმეტე) ასო; მისი სახელია „კანი“. გრაფიკული სიმბოლო უკანალნისმიერი ფრუ ხშულ-მსკდომი აბრუპტივისა. ასომთავრულში იწერებოდა Ꮕ, ნუსხურში — ᲚᲚ. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავდა ციფრ ოცს (20).

ცხრილში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია ასო კ-ს გრაფ. მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახისა—ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულისა). ისინი ამოკრებილია V—XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

ᲙᲐᲜᲘ ჰაბიბოლა (1808, შირაზი — 1854, თეირანი), ირანელი პოეტი. დაიბადა კარის პოეტის მირზა მოჰამადის (გოლშანი) ოჯახში. მოღვაწეობდა ნასრ ალ-დინ შაჰის (1848—96) კარზე. ლექსებს თხზავდა არაბ. ენაზეც. მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ლიტ. მიმდინარეობისა „ბაზგაშთ“ (იხ. *ირანი, ლიტ-რა*). სახელი გაითქვა ექსპრომტებით. ავტორია შაჰისა და დიდებულებისადმი მიძღვნილი სახოტბო კასიდებისა; სატრფიალო, პეიზაჟური ლაზალებისა, რელიგ. ელეგიებისა. წერდა სატირულ ლექსებსაც. პოეტური ტექნიკის ოსტატი იყო. ბაძავდა ხაკანის.

ᲙᲐᲑᲐᲚᲐ (ძვ. ებრ. სიტყვასიტყვით — გადმოცემა), მისტიკური მიმდინარეობა *იუდაიზმში*. III—VIII სს. შორის შექმნილი ტრაქტატი „სეფერ ჰაიეცირა“ („წიგნი მესაქმეთა“), რ-იც წარმოადგენს აბსტრაქტული ჭვრეტის პირველ ცდას, ებრ. ენაზე უკვე შეიცავს სამყაროს იმ პირველ კაბალისტურ 32 ელემენტს, რ-თაც განეკუთვნება როგორც ძირითადი 10 ციფრი (სეფიროთი), ისე ებრ. ანბანის 22 ასო. უფრო დასრულებული სახე მიიღო კ-მ XIII ს. დასაწყისში ესპ. და პროვანსის ებრაელებს შორის. როგორც ვარაუდობენ, კ-ის ფუძემდებლური ძეგლი „ზოჰარი“ („ციალი“) XIII ს. ბოლოს კატილიაში არამეულ ენაზე დაწერა მოშე დე ლეონემ და შრომის ავტორად II ს. თალმუდისტი რაბი შიმონ ბენ იოხაი ჯამოაცხადა. კ-ის თანახმად, ღმერთი არის აბსოლუტურად უთვისებო და განუსაზღვრელი უსასრულობა („ენსოფ“), ყოველივე საგნობრივის უარყოფა. მაგრამ ეს არარა ერთდროულად ყველაფერია საგნებში, სადაც ის ამყოვნებს თავის არსს, ზღუდავს რა ამისათვის საკუთარ თავს (ამრიგად, კ. სამყაროს შექმნის შესახებ მოძღვრების ნაცვლად ქადაგებს ძოძღვრებას ემანაციის შესახებ). განუსაზღვრელი ღმერთი განსაზღვრული ხდება 10 „სეფიროთში“, რ-ებიც გნოსტიციზმის ზონების ანალოგიურია. თავის მთლიანობაში „სეფიროთი“ წარმოადგენს სრულყოფილ არსებას, პირველ ადამიანს ადამ კადმონს, რ-შიც კონცენტრირებულია ღვთაების სრულიო ყოფიერების პოტენცია. ამრიგად, არაფერია ღვთის გარეშე, ღვთის გარდა, რის გამოც როგორც ბოროტება, ისე იეთე ღვთაებრივი სუბსტანციის გამოვლინებაა. პრაქტიკული კ-ის მნიშვნელოვანი ავტორიტეტის იცხაკ ბენ შელომო ლურიას (1534—72) შიერ დამუშავებულმა თეურგიის სისტემამ გავლენა მოახდინა XVII—XIX სს. ისეთ მისტ. მიმდინარეობებზე იუდაიზმში, როგორიცაა შაბეთაიზმი და ხასიდიზმი.

ლიტ.: Трубич Э., Очерки каббалы, СПб., 1886.

ნ. ბაბალიკაშვილი.

ᲙᲐᲑᲐᲚᲐ (არაბ.—ვალდებულება, ხელწერილი), 1. ძვ. საქართველოში—ოჯარა, სხვისი ქონებით სარგებლობის საზლაური.



დ. კაბალევსკი.

მ. კაბაჩნიკი.



კაბაჭრელა (Erythronium caucasicum): ა — ბუტკო.

კაბერი. სვეტის ბაზისი.



კაბელ-ამწე: 1 — მზიდი ბაგირი; 2 — ურიკა; 3 — გამწევი ბაგირი; 4 — ამწე ბაგირი; ა, ბ — საყრდენები.

გვხვდება ნიკორწმინდის XI ს. სიგელში (მიწის „საკაბალოდ მიცემაჲ“ და სახლსა „ზედა კაბალისა დადებაჲ“), დიდ *სჯულისკანონში* (დაბის, სოფლის „მიკაბალება“) და ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში (აქ საკაბალოდ გაცემულად დასახელებულია ხარი). 2. ძვ. რუსეთში — პირადი დამოკიდებულების მძიმე ფორმა (ჩვეულებრივ, სესხთან დაკავშირებული), აგრეთვე სავალო ვალდებულების გამფორმებელი იურიდ. აქტი. ტერმინი ჩნდება XIV—XV სს. მიჯნაზე. 3. უკიდურესად მძიმე, მონური დამოკიდებულება ვინმეზე.

ლიტ.: ანთელავა ი., ტერმინ „კაბალაჲს“ მნიშვნელობისათვის, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1978, [ტ.] 5; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX — XX სს., ტ. 2, თბ., 1956; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929. *ი. ფუტკარაძე.*

კაბალევსკი დიმიტრი ბორისის ძე [დ. 17 (30). XII. 1904, პეტერბურგი], საბჭ. კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. სსრკ სახ. არტისტი (1963), ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1965), სსრკ პედ. მეცნ. აკად. ნ. წ. (1971). სოციალისტური შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1940-იდან. მუს. აღზრდის საერთაშორისო საზ-ბის საპატიო პრეზიდენტი (1972). სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავ-რის მოადგილე (1979). დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია [ნ. მიასკოვსკის საკომპოზიციო (1929) და ა. გოლდენვეიზერის საფორტეპიანო(1930) კლასები]. 1940—46 იყო ჟურნ. „სოვეტსკაია მუზიკას“ მთ. რედაქტორი, 1952-იდან—სსრკ კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. კ-ს ნაწარმოებებია: კონცერტების ტრიადა — საფიოლინო (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), ჩელოს I (1949) და III საფორტეპიანო (1952); ოპერები „ტარასის ოჯახი“ (1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951, ბ. გორბატოვის მოთხრობის „დაუმორჩილებელნის“ მიხედვით), „კოლა ბრიუნიონი“ (1937; II რედ. 1968, ლენინური პრემია, 1972, რ. როლანის მიხედვით), „ცეცხლში“ (1943), „ნიკიტა ვერშინინი (1955), „დები“ (1969); 4 სიმფონია (1932, 1933, 1934, 1956), კონცერტები ორკესტრთან ერთად—3 საფორტეპიანო (1929, 1936, 1952), 1 ვიოლინოსათვის (1948) და 2 ჩელოსათვის (1949, 1964); სიუიტები გუნდისა და ორკესტრისათვის „სახალხო შურისმაძიებელნი“ (1942), კანტატები „ლენინელები“ (1959), „რეკვიემი“ სოლისტებისათვის, 2 გუნდისა და ორკესტრისათვის რ. როჟდესტვენსკის ტექსტზე (1963; გლინკას სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია, 1966) და სხვ. კამერული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია 2 სიმებიანი კვარტეტი (№ 2, 1945; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), 24 საფორტეპიანო პრელიუდია და სხვ. დაწერილი აქვს მუსიკა კინოსა და თეატრისათვის. ავტორია თეორ. ხასიათის შრომებისა. გამოდის როგორც პიანისტი და დირიჟორი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კ-ის, მოსკ. კონსერვატორიის პროფ. (1939-იდან), პედაგოგიურ მუშაობას მოზარდი თაობის მუს. აღზრდის საქმეში. გამოცემულია ფირფიტები მისი „საუბრებით მუსიკის შესახებ“. სსრკ IX—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Грошева Е. Д., Кабалевский, М., 1956; Пожидаев Г. А., Д. Б. Кабалевский. Рассказы о жизни и творчестве, М., 1970.

კაბალი, მდინარე, ალაზნის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს კახეთის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზ. დ. 2720 *მ*. სიგრძე 48 *კმ*, აუზის ფართ. 391 *კმ*². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, მდგრადი წყალმცირობა — ზამთარში, არამდგრადი — ზაფხულში, წყალმოვარდნები — შემოდგომაზე. კ-ის წყლით ირწყვის 2854 *ჰა* ფართობი. *ი. აფხაზავა.*

კაბალი, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში, ალაზნის ვაკეზე, მდ-ების კაბალისა და ბაისუბნისწყლებ შორის. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., განჯალა, უზუნთალა, ყარაჟალა). ზ. დ. 330 *მ*, ლაგოდეხიდან 15 *კმ*. კომინტერნის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). საშ. და რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), 3 ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კაბალიეროსი (caballeros), რაინდობა შუა საუკუნეების ესპანეთში. *რეკონკისტის* ადრინდ. ხანაში — ცხენოსანი მეომრები, რ-ებიც საკუთარი სახსრებით იძენდნენ ცხენს, მის აღჭურვილობას და იარაღს. დაახლ. XII ს-იდან ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა *იდალგოც*.

კაბანისი (Cabanis) პიერ ჟან ჟორჟ (5. VI. 1757, კონაკი, — 5. V. 1808, რიუეი), ფრანგი ფილოსოფოსი, მატერიალისტი და ექიმი. ჟირონდისტებთან ერთად მონაწილეობდა 18 ბრიუმერის კონტრრევ. გადატრიალებაში. კ-ის მატერიალიზმი და ათეიზმი უფრო თანამიმდევრული და მებრძოლი ხასიათისა იყო, ვიდრე XVIII ს. ფრანგი მატერიალისტების ადრინდ. თაობისა. კ-მა დიდი გავლენა მოახდინა მედიცინისა და ფიზიოლოგიის განვითარებაზე. სიცოცხლის ბოლო წლებში მიეკრო *ეკტალიზმს*.

თხზ.: Œuvres complètes, t. 1—5, P., 1823—25; Œuvres philosophiques, pt. 1—2, P., 1956; Отношения между физическою и нравственною природою человека, т. 1—2, СПб., 1865—66.

ლიტ.: Заблудовский П. Е., Кабанис — врач-материалист XVIII в., «Клиническая медицина», 1939, т. 17, в. 5.

კაბარე (ფრანგ. cabaret, სიტყვასიტყვით — დუქანი), თავდაპირველად იმპროვიზებული წარმოდგენები, რ-ებსაც პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები აწყობდნენ ლიტ.-სამხატვრო კაფეში. კ-ები მრავლად იყო XIX ს. 80-იანი წწ. საფრანგეთში. შემდგომ, როცა კ-ში სიარული დაიწყო ბურჟ. საზ-ბამ, ესტრადაზე უკვე პროფესიონალი მსახიობები გამოდიოდნენ და კ-მ პირვანდელი სახე დაჰკარგა. თანამედროვე ბურჟ. ქვეყნებში კ. მცირე რესტორანია, რ-საც საკუთარი საესტრადო (ზოგჯერ ეროტულიც) პროგრამა აქვს.

კაბაქჩიევი ხრისტო სტეფანოვ (2. I. 1878, გალაცი, რუმინეთი, — 6. X. 1940, მოსკოვი), ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე, პუბლიცისტი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1935). 1905—28 ბულგ. მუშათა ს.-დ. პარტიის (ბმსდპ) (ვიწრო სოციალისტების — ვ. ს.) ცკ-ის წევრი, 1919-იდან ბულგ. კომპარტიის (ბკპ) ცკ-ის წევრი. II ინტერნაციონალის შტუტგარტის (1907), კოპენჰაგენის (1910), და ბაზელის (1912) კონგრესების დელეგატი ბმსდპ (ვ. ს.)-გან. 1914—23 სახ. კრების დეპუტატი. მონაწილეობდა კომინტერნის II (1920), III (1921), IV (1922) და VI (1928) კონგრესების მუშაობაში. ბულგარულად თარგმნა ვ. ი. ლენინის რიგი შრომები. 1920 პირადად გაიცნო ვ. ი. ლენინი. 1923-იდან ბკპ-ის პოლიტ. მდივანი. აქტიურად მონაწილეობდა სექტემბრის ანტიფაშისტური აჯანყების (1923) მოწყობაში. 1923—26 დაპატიმრებული იყო, 1927 მაისიდან ემიგრაციაში იყო სსრკ-ში. 1928-იდან სკპ(ბ) წევრი, მარქს-ენგელს-ლენინის ინ-ტის, ხოლო 1935-იდან სსრკ მეცნ. აკად. ისტ. ინ-ტის მეცნიერი მუშაკი.

კაბაჩნიკი მარტინ იზრაილის ძე [დ. 27. VIII (9. IX). 1908, ეკატერინბურგი, ახლანდ. სვერდლოვსკი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). სოციალისტური შრომის გმირი (1978). სკკპ წევრი 1957-იდან. 1931 დაამთავრა მოსკ. მე-2 ქიმ.-ტექნოლ. ინ-ტი. სსრკ მეცნ. აკად. ელემენტორგ. ნაერთების ინ-ტის ფოსფორორგ. ნაერთების ლაბორ. გამგე (1954-იდან). კ-ის ძირითადი შრომები ეხება უმთავრესად ფოსფორორგ. ნაერთების ქიმიისა და ორგ. ქიმიის თეორ. საკითხებს. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: М. И. Кабачник, М., 1967 (Материалы к библиографии ученых СССР. Серия химических наук, в. 39).

კაბაჭრელა, ძაღლისკბილა (Erythronium), ბოლქვიანი ბალახოვანი მცენარეების გვარი შროშანისებრთა ოჯახისა. მისი 25-მდე სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ამერ., სამხრ. ევრ., კავკ., მ. შ. საქართველოს (E. caucasica — კავკასიის ენდემი) და სამხრ. ციმბ. მთებში. დეკორ. მცენარეებია, აშენებენ ბაღებში, პარკებს და ალპინარიუმებში.

კაბე (Cabet) ეტიენ (1. I. 1788, დიჟონი, — 8. XI. 1856, სენტ-ლუისი, აშშ), ფრანგი პუბლიცისტი, მწერალი, უტოპისტ. კომუნისტი, კარბონარიების მოძრაობისა დ. 1830 რევ. მონაწილე. რევ. ისტორიკოსის ემიგრაციაში იყო ჯერ ბელგიაში, შემდეგ დიდ ბრიტანეთში, სადაც გაიცნო რ. *ოუენი*. რომანში „მოგზაურობა იკარიაში“ კომუნიზმი წარმოდგენილია საზ-ბად, რ-ის შეესატყვისება გონების პრინციპებსა და ბუნების მოთხოვნილებებს, ემყარება სოც. თანასწორობას, ძმობას, ერთობასა და დემოკრატიას. XIX ს. I ნახ. უდიდესი სოციალისტი მოაზროვნეების მოძღვრებასთან შედარებით მისი უტოპია უკან გადაგდგმული ნაბიჯი იყო. მიუხედავად ამისა, საფრ. პროლეტ. კლასობრივი მოუმწიფებლობის გამო კ-ს „იკარიული სოციალიზმი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფრანგ. ხელოსნებსა და მუშებში. 1848 ტ. ხასში (აშშ) დააარსა იკარიელთა კოლონია.

კაბელ-ამწე, ტვირთის ასაწევ-დასაწევი და ჰორიზონტალური მიმართულებით გადასაადგილებელი მოწყობილობა. იყენებენ ღია სამთო სამუშაოებსა და მშენებლობაზე.

კ.-ა-ს მახასიათებლებია: ტვირთამწეობა (5—10 *ტ*), მალი (100—1500 *მ*), ტვირთის აწევის სიმაღლე (50 *მ* და მეტი), ურიკის მოძრაობის სიჩქარე (8—10 *მ/წმ*), დატვირთვის აწევის სიჩქარე (1,3—1,5 *მ/წმ*), საყრდენების გადაადგილების სიჩქარე (0,2—0,3 *მ/წმ*), ელექტროენერგიის ხარჯი 7—25 *კვტ·სთ/ტ·კმ*, ციკლთა რაოდენობა საათში 25—30-მდეა.

კაბელი (ჰოლანდ. kabel — ბაგირი, გვარლი) ელექტრული, ერთი ან რამდენიმე იზოლირებული გამტარი, მავთავსებული ჰერმეტულ გარსში, რ-საც ჩვეულებრივ ზემოდან დამცავი საფარი აქვს. კ-ს იყენებენ ელექტროენერგიის, სიგნალების დიდ მანძილზე გადასაცემად (მაღალი და დაბალი ძაბვის კაბელები), ელექტროგადაცემის ხაზები, ქალაქის სატელეფონო ქსელი, გემებისა და საფრენ. აპარატების ელექტრომოწყობილობა (ა. შ.). კ-ის კონსტრუქციას განსაზღვრავ. მისი გაყვანისა და ექსპლუატაციის პირობების მიხედვით (მიწის ქვეშ, წყალში, ჰაერში, ქიმიურად აქტ. გარემოში, დაბალი ან მაღალი ტემპ-რის, მაღალი ტენიანობის პირობებში და ა. შ.). ნებისმიერ. ტიპის კ-ებს აქვს საერთო კონსტრ. ელემენტები: დენგამტარი ძარღვი, იზოლაცია და გარსი (იხ. ნახ.). დენგამტარ ძარღვს ამზადებენ სპილენძის ალუმინისაგან. ექსპლუატაციის პირობებ. მიხედვით დენგამტარი ძარღვი შეიძლე.

ფოს ერთმავთულიანი ან მრავალი მავთუ-
ლისაგან დაგრეხილი, სხვადასხვაგარია
ფი აგრეთვე მოქნილობის მიხედვით, განმ-
აზღვრელი ორივე შემთხვევაში ექსპლუა-
ტაციის პირობებია. ძალურ კ-ში ჩვეუ-
ლებრივ 3 ძარღვია (3 ფაზაზე). კავშირ-
აბმ. კ-ში იგი ათეულებსა და ასეულებს
აღწევს. ძალურ კ-ებში დენგამტარი ძარ-
ღვების ნორმირება ხდება განივი კვეთის
ფართობის მიხედვით, რ-საც შეარჩევენ
ადასაცემი სიმძლავრის გათვალისწინე-
ით. სსრკ-ში ყველაზე მეტად გავრცე-
ლებული კ-ების განივი კვეთია 10, 16,
5, 35, 50, 70, 95, 120 და 150 *მმ*².

კ-ის იზოლაციას ამზადებენ
თლიანი, შრეული ან კარკასულ-ჰაერული
იზოლექტრიკისაგან, რ-იც განაცალკევებს
ენგამტარ ძარღვებს ერთმანეთისა და
არსისაგან. მრავალძარღვიან კ-ებში დაგ-
ეხილ იზოლირებულ ძარღვებს დამატე-
ით ფარავენ ე. წ. სასარტყლო იზოლაცი-
თ; ძირითად იზოლაციასა და სასარტყ-
ოს ერთი და იმავე მასალისაგან აკეთე-
ენ (უმეტესად იყენებენ კ-ის და ტელეფო-
ის ქაღალდს, რეზინს, პლასტმასას, პო-
�aილქლორიდს, პოლისტიროლს და
ხვ.).

აწყვეტი მილის სახის გარსში იზოლი-
ებული დენგამტარი ძარღვებია. გარსი
ცავს მათ მექან. დაზიანებისაგან, ტენისა
ა სინათლისაგან, ქიმ. ნივთიერებათა
ემოქმედებისაგან. ისეთი კ-თვის, რ-ის
ზოლაცია ადვილად ტენიანდება, იყენე-
ენ ტყვიისა და ალუმინის გარსს. მთლიანი
ლასტმასის იზოლაციის მქონე კ-ის გარსს
ზადებენ სხვადასხვა პოლიეთილენქლო-
იდისა და მურით (1—2%) პიგმენტირებუ-
ი პოლიეთილენისაგან. იმ კ-ის გარსს
, რ-საც რეზინის იზოლაცია აქვს —
ვადასხვა სინთეზური კაუჩუკის ფუძეზე,
ის გამოც იგი ხდება ნავთობზეთმედეგი,
ვავი, ყინვამედეგი, მოქნილი, მექანი-
ურად მტკიცე და სხვ. კ-ის გარსი რომ
ქან. დაზიანებისა და კოროზიისაგან დაი-
ცან, უკეთებენ დამცავ საფარს (ჯავ-
ანს)—ფოლადის ლენტს ან მავთულს.

სსრკ-ში ამზადებენ 1000-ზე მეტი ტი-
ს კ-ს, რ-თა ნიშანდება (მარკირება), ასო-
ტიმენტი, დანიშნულება, კონსტრუქცია
მახასიათებლები მოცემულია შესაბამისი
ანდარტებით.

ლიტ.: Бачелис Д. С., Белоусов Н. И., Саакян А. Е., Электрические кабели, провода и шнуры (справочник), 2 изд., М.—Л., 1963; Привезенцев В. А., Ларина Э. Т., Силовые кабели и высоковольтные кабельные линии, М., 1970.

ნ. ლორთქიფანიძე.

ბელის ძურო, მოწყობილობა, რ-ითაც
ბელის ხაზში ერთმანეთს უერთდება
ლკეული კაბელები, ხოლო ხაზი—ელექტ-
ოდანადგარებს ან ელექტროგადამცემ ხა-
ებს. განასხვავებენ მაერთებელ, განშა-
ოებელ და კიდურ კ. ძ-ებს. ყველაზე
რტივია თუჯისკორპუსიანი ან ფოლადის
ბრისებრი კ. ძ. (ძაბვა — 1 *კვ*-მდე),
საც ავსებენ საიზოლაციო (ბიტუმოვანი)
ითი. მაერთებელი კ. ძ. (ძაბვა 6—35 *კვ*)
ამულია ტყვიის ან თითბრის გარსაცმში.
ღალი ძაბვის (110—500 *კვ*) მაერთებე-
ი და კიდურა კ. ძ-ები რთული ელექტ-
ტექ. მოწყობილობებია. მიწაში ჩაწყო-
ას კ. ძ-ს თუჯის დამცავ კორპუსში
ავსებენ.

კავშირგაბმულობის კ. ძ.
შირგაბმ. კაბელების შესაერთებელი
წყობილობა. იგი სხვადასხვა სახეობი-
: მასიმეტრიული კ. ძ.
ბრუნველყოფს კაბელის წრედების და-
ს უნარიანობის გაზრდას), პუპი-
ს კ. ძ. (იხ. *პუპინიზაცია*), აირ-
უღწევი და მაიზოლირე-
ელი კ. ძ-ები (პირველის დანიშნულე-
ა დაიცვას კაბელი ჭარბი წნევის დროს,
ორისა — ხელოვნურად გაწყვიტოს ელექ-
ული წრედი კაბელის ლითონის გარს-
ში, რათა დაიცვას კაბელის ხაზი გარეშე
საშიში დენისა და ძაბვისაგან).

ო. ლამბაშიძე.

კაბელმაძიებელი, ხელსაწყოთა კომპ-
ლექტი, რ-ითაც ადგენენ მიწისქვეშა და
წყალქვეშა კაბელების ტრასისა და ჩაწყო-
ბის სილრმეს, აგრეთვე მათი ძარღვების
დაზიანების ადგილს იმ შემთხვევაში, რო-
ცა ისინი მთლიანადაა ჩამიწებული. კ.
შედგება ბგერითი სიხშირის ცვლადი დენის
გენერატორისა და ბგერითი სიხშირის ან-
ტენიანი და სათავო ტელეფონიანი მაძლი-
ერებლისაგან. კ-ის გადანაცვლებისას ტე-
ლეფონით მიღებული მაქს. ბგერის მიხედ-
ვით განსაზღვრავენ გაყვანილი კაბელის
ტრასას, ხოლო ბგერის მკვეთრი შესუსტე-
ბით — დაზიანების ადგილს.

ო. ლამბაშიძე.

კაბელტოვი (ჰოლანდ. kabeltouw), სი-
გრძის სისტემის გარეშე ერთეული; იყე-
ნებენ საზღვაოსნო პრაქტიკაში. 1 კ.=0,1
მილს (საზღვაო)=185,2 *მ*.

კაბელჩამწყობი, მიწისქვეშა და წყალ-
ქვეშა *კაბელების* ჩამწყობი მექანიზმი.
მუშა ნაწილის კონსტრუქციის მიხედვით
განასხვავებენ დანებიან, ჰიდრავ. და რო-
ტორულ კ-ებს. დანებიანი კ. შეიძლება
იყოს მუხლუხა სვლის, ბორბლებიანი, ლი-
თონის მარხილებიანი ან საღარავი. თუ
კაბელებს თიხნარსა და ქვიშიან ნიადაგში
ან პატარა მდინარის ფსკერზე აწყობენ,
ბორბლებიან და მუხლუხა სვლის დანე-
ბიან კ-ებს იყენებენ. მათი გამწევი ძა-
ლაა ტრაქტორები, რ-თა მუშაობის დროს
კ-ის წინა დანა ნიადაგის ზედა ფენას აფხ-
ვიერებს და თან ქვებს, ფესვებსა და მისთ.
აცილებს. მუშა დანა კი ნიადაგში 1,5 *მ*-ის
სილრმის ვიწრო თხრილს ჭრის (მწარ-
მოებლურობა საათში—600 *მ*-მდე ტრასა).
მარხილებიანი კ-ით კაბელების ჩაწყობა
შესაძლებელია წყალქვეშ, 200 *მ*-მდე სი-
ღრმეზე. იგი საკაბელო თხრილს წყლის
ფსკერზე ქმნის, გამწევი ძალაა საკაბელო
გემი. გაყინულ და კირნარ ნიადაგში კა-
ბელს აწყობენ საღარავი კ-ით. ჰიდ-
რავლიკურ კ-ს მაშინ იყენებენ, როცა
კაბელს დიდ მდინარეში აწყობენ (მწარმო-
ებლურობა 10—30 *მ* ტრასა საათში). რ ო-
ტ ო რ უ ლ ი კ. შედგება თვითმავალი
როტორიანი ექსკავატორისა და მისაბმელი
ურიკისაგან, რ-ზეც დადგმულია კაბე-
ლების დასატვირთი, სატრანსპორტირებე-
ლი და ჩასაწყობი მოწყობილობანი. მისი
ძირითადი მუშა ნაწილია დისკო ან მჭრელ-
კბილებიანი ბორბალი. როტორული კ-ით
კაბელებს გაყინულ ან გალღობილ ნიადაგ-
ში აწყობენ (მწარმოებლურობა 100—125 *მ*
ტრასა საათში).

ო. ლამბაშიძე.

კაბენი, ქართული ხუროთმოძღვრების
ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი. სოფ.
კიკეთის მახლობლად, მღ. ასურეთისწყლის
ხეობაში (გარდაბნის რ-ნი). კომპლექსში
შედიოდა: ღვთისმშობლის მიძინების დი-
დი გუმბათოვანი ტაძარი, სვიმონ მესვე-
ტისა და მიქელ მთავარანგელოზის მცი-
რე დარბაზული ეკლესიები. შემორჩენილი
ნახატებისა და ფოტოსურათების მიხედ-
ვით კ-ის ტაძარი XIII ს. I ნახ. ქართ. ხუ-
როთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი ყო-
ფილა. იგი მცირე ცვლილებებით იმეო-
რებდა ბეთანიის გუმბათოვანი ტაძრის გეგ-
მას (შიგა სივრცის საკითხიც იმდაგვარად
იყო გადაწყვეტილი), მაგრამ, იმავე დროს,
არსებითად განსხვავდებოდა მისგან ფასა-
დების მორთულობის სისტემით, რ-იც სამ-
თავის-იკორთის ტაძართა დეკორატიულ
სისტემას იმეორებდა.

მონასტრის ზღუდის გარეთ, ჩრდ.-აღმ-
ით ნატეხი ქვით ნაგები მომცრო დარბაზუ-
ლი ეკლესია დგას. ფასადები მოპირკეთე-
ბულია მოყვითალო ქვის კარგად გათლი-
ლი კვადრებით. მორთულობა შესრულებუ-
ლია XII—XIII სს-ში შემუშავებული დე-
კორ. სისტემის მიხედვით. აღმ. ფასადის
წარწერიდან ირკვევა, რომ ვინმე გიორგი
კ-ის ვაჟებს — ნიკოლოზს, ვასილს, ოქ-
როპირსა და გრიგოლს — თამარ მეფის
დროს (XII ს. დასასრ. — XIII ს. დასაწყ.)
დაუმთავრებიათ ადრე დაწყებული ეკლე-
სიის მშენებლობა.

ლიტ.: Шмерлинг Р. О., Долидзе В. О., Барнавели Т. В., Окрестности Тбилиси. Архитектурный путеводитель, Тб., 1960.

შ. სალარაძე.



წნევის ქვეშ მყოფი აირსავსე მოჯავშნული კაბელი ელექტროგადაცემის ხაზებისათვის.



ლიფტის დანადგარის მზიდგვარლიანი შლანგური კაბელი.



ელექტროკაროტაჟის მოჯავშნული კაბელი, იყენებენ ლრმა ჭაბურღილების ბურღვისას.



მაღალი ძაბვის განსაკუთრებით მოქნილი (შლანგური) კაბელი.



ძალური და განათების დანადგარების მოჯავშნული კაბელი.



ელექტროგადაცემის ხაზების ძალური ზეთისებული კაბელი მაღალი ზნევის ფოლადის მილსადენში.



კომბინირებული კაბელი სატელევიზიო კამერების შესაერთებლად კვების წყაროებსა და გადამცემ აპარატურასთან.

1—დენგამტარი ძარღვი; 2—იზოლაცია; 3—გარსი; 4—დამცავი საფარი; 5—ჯავშანი, ეკრანი; 6—ფოლადის გვაღლი.



კაბენი (ყაწრაეთისა). IX ს. აღმოსავლეთის ფასადი X და XIII სს. გადაკეთების შემდეგ.

კაბერნე სოვინიონი.

კაბუკი

იტიკავა ენოსკე III სამბასოს როლში (პიესა „აიაცური სამბასო"). უკან— ასისტენტის როლში იტიკავა კოდაიუ.

კაგუანი.

უტაემონ VI ასრულებს ცეკვა ონაგატას (პიესა „მუსუმე დოძოძი").

რ-ნი) მზადდება მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინო — თელიანი, რ-იც საფრანგეთის განთქმულ ბორდოს წითელ ღვინოს უტოლდება. *ვ. გოცირიძე.*

კაბვე (Kabwe; 1965-მდე ბროკენ-ჰილი), ქალაქი ზამბიაში. 98 ათ. მცხ. (1974). რკინიგზით უკავშირდება ზაირის რესპუბლიკასა და სამხრ. როდეზიას. ქვეყნის სამთო-სამრეწვ. ცენტრი. იღებენ ტყვიას, თუთიასა და ვანადიუმს.

1921 ქალაქის მახლობლად იპოვეს *პალეოანთროპის* ძვლოვანი ნაშთები (იხ. აგრეთვე *ბროკენ-ჰილი*).

კაბილები (არაბ. კაბილა — ტომი), ჩრდ. ალჟირის მთიან რ-ნებში მცხოვრები ბერბერული ხალხი (იხ. *ბერბერები*). რაოდ. 1,3 მლნ. კაცი (1970, შეფასება). ენა განეკუთვნება ბერბერულ ენებს. უმრავლესობა არაბულადაც ლაპარაკობს. რელიგია — სუნიტური მიმართულების ისლამი. ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

კაბიმასი (Cabimas), ქალაქი ვენესუელაში, მარაკაიბოს ტბის ჩრდ.-აღმ. ნაპირზე, სულიის შტატში. 122 ათ. მცხ. (1971). ნავთობის მოპოვება და გადამუშავება. ნავთობსადენით უკავშირდება ნავთობსაექსპორტო ნავსადგურ პუნტა-კარდონს.

კაბინის ატმოსფერო კოსმოსური ხომალდისა, კოსმოსური საფრენი აპარატის ჰერმეტული კაბინის ხელოვნური აიროვანი გარემო. კ. ა. შეიძლება იყოს ერთაირიანი (აირისებრი ჟანგბადი), რ-ის წნევა 33—56 *კპა* (250—420 *მმ ვწყ. სვ.*), და მრავალაირიანი (O_2, N_2, CO_2 და სხვ.). პირველს იყენებენ ამერ. პილოტირებულ კოსმ. ხომალდებზე, მეორეს — საბჭ. პილოტირებულ ხომალდებზე. ერთაირიანი გარემოს პირობებში შესაძლებელია შემცირდეს დეკომპრესიის შემთხვევები და შესუსტდეს კაბინის ჰერმეტულობის დარღვევის ეფექტი კოსმრნავტის სივრცეში ან ციური სხეულის ზედაპირზე გასვლის დროს, მაგრამ ასეთ აირად გარემოში ჟანგბადის წნევა უნდა აღემატებოდეს დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადის პარციალურ წნევას, რამაც შეიძლება ხანძარი გამოიწვიოს და თერმორეგულირების სისტემა გაართულოს. ამასთან, კოსმ. ხომალდის ხანგრძლივი (2—3 კვირაზე მეტი) ფრენის შემდეგ ადამიანს ეწყება ზოგიერთი ფიზიოლ. ფუნქციის მოშლა. მრავალაირიან კ. ა-ს პირობებში დასაშვებია საერთო ბარომეტრული წნევის მერყეობა 40—120 *კპა* (300—900 *მმ ვწყ. სვ.*) ფარგლებში, ჟანგბადის პარციალური წნევა უნდა იყოს 20—40 *კპა* (150—300 *მმ ვწყ. სვ.*). ნახშირორჟანგის პარციალური წნევა არ უნდა აღემატებოდეს 1 *კპა* (7,6 *მმ ვწყ. სვ.*), აზოტისა — 79 *კპა* (590 *მმ ვწყ. სვ.*). პერსპექტიულია აზოტის შეცვლა სხვა ინერტული აირებით (მაგ., ჰელიუმით). კ. ა-ს ფარდობითი ტენიანობა უნდა იყოს 30—70%, ტემპ-რა—20± ±1°C.

კაბისოვი გრიგოლ არსენის ძე (8.III. 1914, ჯავა, — 11. III. 1975, ქ. ცხინვალი), ოსი საბჭ. მსახიობი და რეჟისორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1940-იდან. 1941 დაამთავრა ლენინგრ. ნ. ოსტროვსკის სახ. თეატრ. ინ-ტი. 1941-იდან მოღვაწეობდა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის ოსურ დასში ჯერ როგორც მსახიობი, ხოლო მოსკ. სამხატვრო თეატრის ორწლიანი სარეჟისორო კურსების დამთავრების შემდეგ — როგორც რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია მ. შავლოხოვის „სასიძო კაცი", დ. თუაევის „ფასის ოცნება" და „ობლების დედა". გ. ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები", ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი" და სხვ. დაჯილდოებულია მედლებით.

კაბიწი, მარცვლეულის საწყაო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული VI—XVI სს-ში, იშვიათად ხმარობდნენ XVII—XVIII სს-ში. XIII—XV სს. I ნახევარში კ. საშუალოდ შეადგენდა 10 *კგ*. XV ს. II ნახევარში და XVI ს-ში—17,8 *კგ*. XVIII ს. დასაწყისში კ. სამკოდიანი (90 *კგ*) საწყაო იყო და *თალარს* შეესაბამებოდა. *ბ. ჯაფარიძე.*

კაბოტაჟი (ფრანგ. cabotage), ნაოსნობა ერთი ქვეყნის ნავსადგურებს შორის. კ. ორი სახისაა: დიდი (ტვირთის გადაზიდვა და მგზავრების გადაყვანა სხვადასხვა ზღვის ნავსადგურებს შორის) და მცირე კ. (ერთი ზღვის ფარგლებში). სსრკ-ში კ-თვის ერთ ზღვადაა მიჩნეული შავი და აზოვის ზღვები; იაპონიის, ოხოტის და ბერინგის ზღვები; თეთრი ზღვა და ჩრდ. ყინულოვანი ოკეანე. სსრკ-ში კ. ხორციელდება მხოლოდ საბჭ. გემებით.

კაბოტის სრუტე (Cabot Strait), სრუტე კ. ნიუფაუნდლენდსა და კ. კეიპ-ბრეტონს შორის, მთავარი შესასვლელი ატლანტის ოკეანიდან წმ. ლავრენტის ყურეში. სიგანე 103 *კმ*, სიღრმე 300—400 *მ*. დეკ-იდან აპრილამდე დაფარულია მოდრეიფე ყინულით. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1,4 *მ*-მდე. სახელი ეწოდა იტალ. ზღვაოსნის ჯ. კაბოტის პატივსაცემად.

კაბოშიენები (cabochiens), პარიზის 1413 სახალხო აჯანყების მონაწილენი. აჯანყების ბიზეზი იყო *ასწლიანი ომის* დროს გადასახადების ზრდა და *არმანიაკებისა (ორლეანისტები) და ბურგინიონების* შინაომი. აჯანყებულების გავლენით მეფე იძულებული გახდა გადაეყენებინა ზოგი დიდი მოხელე და შეექმნა ადმ.-ფინანს. რეფორმების გამტარებელი კომისია; ამავე დროს აჯანყების შიშით ბასტილიაში გარნიზონი ჩააყენა. ამის საპასუხოდ 27 აპრ. დაიწყო ხელოსანთა აჯანყება. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქალაქის მმართველობა, აიძულეს პარლამენტი 26—27 მაისს მიეღო ე. წ. კაბოშიენთა ორდონანსი. აჯანყების შემდგომი გაფართოების შიშით არმანიაკები და ბურგინიონები გაერთიანდნენ და 1413 აგვ-ში სასტიკად ჩაახშვეს კ-ის აჯანყება. კ-თა ორდონანსი გაუქმდა.

კაბრიოლეტი (ფრანგ. cabriolet), 1. მსუბუქი ავტომობილის ძარა, რ-საც გადასახსნელი რბილი ტენტი აქვს. ძარას ზედა ნაწილი ხისტია, აქვს ჩამოსაშვები ფანჯრები. კ-ის ძარა ორვარია: ორკარიანი— „კაბრიოლეტ-კუპე" და ოთხკარიანი „კაბრიოლეტ-სედანი". კ-ის ტიპის ძარიანი ავტომობილი მოსახერხებელია ცხელპავიან ადგილებში, მაგრამ მისი სიხისტე ფოლადისსახურავიან ძარაზე გაცილებით ნაკლებია. 2 ერთცხენიანი მსუბუქი ორთვალა.

კაბუზთა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (ედისის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 2160 *მ*, ჯავიდან 52 *კმ*. როკის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა, საშ. სკოლა სოფ. ქვემო როკაში (16 *კმ*).

კაბუკი, იაპონიის კლასიკური თეატრის ერთ-ერთი სახეობა. კ-ს დამაარსებლად მიიჩნევენ მსახიობ ქალს ო-კუნის, რ-იც 1603-იდან ქალთა დასთან ერთად გამოდიოდა. 1629 ქალთა დასების გამოსვლა აიკრძალა. 1652-იდან კ-ს წარმოდგენებში ქალების როლებსაც მამაკაცები ასრულებდნენ. განსაკუთრებულ წარმატებას კ-მ XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში მიაღწია. იაპონიაში ფეოდ. წყობილების კრიზისს მოჰყვა მკაცრი რეგლამენტაცია ცხოვრების ყველა სფეროში, რამაც გავლენა იქონია კ-ზეც. ამ პერიოდში დამკვიდრდა მკაცრი პირობითობა: პირობითი იყო მუს. თანხლება, დეკორაციები, კანონიზებული პოზები, პარიკები, გრიმი (წითელი ფერი სამართლიანობის, ვაჟკაცობის სიმბოლო იყო, ლურჯი — გულცივობის, ბოროტების, უზნეობისა და ა. შ.) და სხვ. დამკვიდრდა აგრეთვე სცენური სახელების მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიცია. შეიქმნა მსახიობთა დინასტიები მკაცრად განსაზღვრული ამპლუით. XVIII ს. ბოლოდან კ-ს ხელოვნების ცენტრმა კიოტოდან ედოში, ახლანდ. ტოკიოში გადაინაცვლა. 1966 ტოკიოში კ-ს კლასიკური თეატრის შესანარჩუნებლად გაიხსნა სახელმწ. თეატრი „კოკურიცუ გეკიძიო". კ-ს თეატრი სსრკ-ში ორჯერ იყო საგასტროლოდ (1928, 1961).

ლიტ.: Гундзи Масакацу, Японский театр Кабуки, пер. с япон., М., 1969.

კაბური, სოფელი წალკის რ-ნში (ხაჩკოის სოფსაბჭო), არჯევნის მთის ძირას. ზ. დ. 1860 *მ*, წალკიდან 37 *კმ*. კაბურის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა, რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კაგავა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. სიკოკუს ჩრდ. ნაწილში. მოიცავს კ. სიოდოსაც. ფართ. 1864,7 *კმ*². მოსახლ. 961,3 ათ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 50% ქალაქში ცხოვრობს. მთავარი ქალაქი და აღმ. ცენტრი — ტაკამაცუ. ტერიტ. უმეტესი ნაწილი (70%) უჭირავს მთებს და მაღლობებს, ჩრდ-ით დაბლობის ვიწრო ზოლია.

კ. სას.-სამ. რ-ნია. მთავარი კულტურაა ბრინჯი, რ-საც უჭირავს პრეფექტურის დამუშავებული ფართობის დაახლ. 77%. განვითარებულია მეხილეობა (მანდარინი, ატამი). თევზჭერა, ზღვის სარეწები. იღებენ ქვამარილს. დამუშავებითი მრეწვ. დარგებიდან წამყვანია მსუბუქი და კვების მრეწველობა. სპილენძისა და პოლიმეტალების ბაზაზე განვითარდა ფერადი მეტალურგია. იზრდება ქიმ. მრეწვ. პროდუქცია. ტურიზმი.

კაგოსიმა, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. კიუსიუს სამხრ. ნაწილში, საცუმის ნ.-კ-ზე კაგოსიმის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 457 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო (ბამბის, აბრეშუმსაქ. სოვი ფ-კები), ქიმ., მეტალ. და კვების მრეწველობა. ფაიფურის ნაკეთობათა (ე. წ. საცუმის ფაიფურის) დამზადება. თევზჭერა. უნ-ტი. კ-ის რ-ნში არის კოსმ. კვლევის ცენტრი.

კაგოსიმა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. კიუსიუს უკიდურეს სამხრ. ნაწილში. მოიცავს კოსიკის, ოსუმისა და სხვა კ-ებს. ფართ. 9141,6 *კმ*². მოსახლ. 1,7 მლნ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 50% ქალაქში ცხოვრობს. მთავარი ქალაქი და ადმ. ცენტრი — კაგოსიმა. ეკონ. წამყვანი დარგი სოფ. მეურნეობა. ბატატის მოსავლიანობა და მსხვ. რქ. საქონლის სულადობით კ. ადგილზეა იაპონიაში. განვითარებულია მეხილეობა (მანდარინი), მებოსტნეობა და მეთამბაქოეობა. თევზჭერა, ზღვის სარეწები. სატყეო მეურნეობა. კვების, ხის დასამუშ., საფეიქრო მრეწველობა.

კაგუანი (Cynocephalus volans), ძუძუმწოვარი ცხოველი *ფრთამატყლიანთა* რიგისა. მისი სხეულის სიგრძე (კუდით) 65 *სმ* აღწევს, წონა — 1,7 *კგ*. გვერდებზე კისრიდან კუდამდე გადაჭიმული აქვს ფართო საფრენი აპკი, რ-ის საშუალებითაც საშუალოდ 70 *მ*-მდე შეუძლია გადაიფრინოს. გავრცელებულია ზონდის, მოლუკის, ფილიპინის კ-ებსა და მალაკის ნ.-კ-ზე. მეხეური ცხოველია. აქტიურია ღამით. იკვებება ნაყოფებით. იყენებენ მის ხორცს და ბეწვს.

კაგუასი (Caguas), ქალაქი პუერტო-რიკოს აღმ. ნაწილში. 107 ათ. მცხ. (1976). საავტ. გზით უკავშირდება ნავსადგურ სან-ხუანს. სას.-სამ. რ-ნის (შაქრის ლერწამი, თამბაქო, ხილი, მეცხოველეობა) საავტ. ცენტრი. ამზადებენ შაქარს, რომს, თამბაქოს ნაწარმს. ამუშავებენ ტყავს.

კაგულარები (cagoulards), საფრანგეთის ფაშისტური ორგანიზაციის — „რევოლუციური მოქმედების საიდუმლო კომიტეტის" — წევრები XX ს. 30-იან წლებში (სახელწ. < ფრანგ. cagoule —თვალებთან ამოჭრილი კაპიუშონი, რ-საც იხურავდნენ კ. საიდუმლო შეკრებებზე). კ. აწყობდნენ პროვოკაციულ აფეთქებებს, ხანძრებს, ტ

ორისტულ აქტებს დემოკრატი მოღვაწეების წინააღმდეგ (1937 დახოცეს ცნობილი ტალ. ანტიფაშისტები — ძმები როსელი და სხვ.). სახ. ფრონტის მთავრობამ (1936—38) დაიწყო მათი დევნა და 1940 ჟ-ის ორგანიზაცია ფაქტობრივად დაიშალა. ფაშისტური გერმანიის მიერ საფრ. ოკუპაციის შემდეგ (1940) ჟ-ის უმრავლეობა აქტ. კოლაბორაციონისტი და „ვიშის“ რეჟიმის მომხრე გახდა.

ᲙᲐᲓᲘᲡᲘ, ქალაქი მოლდ. სსრ-ში, მდ. პრუტიდან 5 *კმ*-ზე. რკინიგზის სადგური. ღვინის საწარმოები. თევზის, ლუდის, ხმელი ილის, საშენ მასალათა ქ-ნები. ჟ-ის სარწყავი მიწათმოქმედების საცდელი სადგური და ზონალური აგროქიმ. ლაბორატორია. ჰიდრომელიორ. მეურნეობა-ტექნიკუმი, სამედ., პედ. სასწავლებლები. ისტ.-ხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ჟ. დაარსდა 1835.

ᲙᲐᲓᲘᲡᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ბრძოლა მდ. კაუულთან (ღუნაის მარცხ. შენაკადი) რუს. არმიასა (38 ათ. კაცი, 118 ქვემეხი, სარალი პ. რუმიანცევი) და ოსმ. არმიის მთავარ ძალებს (150 ათ-მდე კაცი, 130—180 ვემეხი, სარდალი ჰალილ-ფაშა) შორის 770 წ. 21 ივლ., რუს.-ოსმ. ომის (1768—4) დროს. ბრძოლა რუს. ჯარის გამარჯებით დამთავრდა. ოსმალებმა დაკარგეს 0 ათ. კაცი და დაახლ. 130 ქვემეხი, რუებმა — 1,5 ათ. კაცი.

ᲙᲐᲓᲘᲜᲘ, იხ. *კადენცია.*

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ (Kádár) იანოშ (დ. 26. V. 1912, ...ეკია), უნგრეთის და საერთაშორისო კოუნისტური და მუშათა მოძრაობის მოღაწე. უნგრ. სრ სახელმწ. და პოლიტ. ოღვაწე. 1931-იდან უნგრ. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის (უაკკ) და ნგრ. კომპარტიის (უკპ) წევრი, უაკკ ამდივნოს წევრი. *ჰორტის* რეჟიმის (1919—4) დროს აქტიურად მონაწილეობდა კომარტიის არალეგალურ მუშაობაში. 1941—3 უკპ-ში სხვადასხვა პასუხსაგები თანამებობები ეჭირა. მნიშვნელოვან როლს ამაშობდა უსგრ. ანტიფაშისტური მოძაობის მომზადებაში. 1944 აპრ. დაანაიმრეს, ნოემბ. გაიქცა ციხიდან. ფაშისტრი რეჟიმისაგან უნგრ. განთავისუფლების 1945) შემდეგ აირჩიეს დროებითი ეროვნ. რების დეპუტატად და უკპ ცკ პოლიტბიუოს წევრად. 1946—48 უკპ ცკ გენ. მდივის მოადგილე. 1948—50 ივნ. უნგრ. მშრომელთა პარტიის (უმპ) ცკ გენ მდივნის ოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 951 ყაღბი ბრალდების საფუძველზე დაპატიმრეს, 1954 მიიღო რეაბილიტაცია. 956 ივლ აირჩიეს უკპ ცკ მდივნად. უნგეთში კონტრრევ ავჯანყების (1956 ოქტ.-ოემბ.) დროს ჟ-ის ინიციატივით შეიქმ უნგრ. რევ. მუშათა და გლეხთა ხელიუფლება. 1957 ივნისიდან უნგრ. სოციალ. უშათა პარტიის (უსმპ) ცკ პირველი მდივანი. 1956—65 ეკავა სხვადასხვა პასუხსაები პარტ. და სახელმწ. თანამდებობა. ნგრ. სრ სოციალ. შრომის გმირი 1962), საბჭ კავშირის გმირი (1964). ალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრეის ლაურეატი (1977). დაჯილდოებულია ენინის ორდენით (1972).

თხზ.: Избр. статьи и речи 1957—1960, 1—2, пер. с венг., М., 1960.

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეელი სოფ. ძველი აბაშის დას-ით, გაშლილ ელზე. აშენებულია არა უადრეს XIV ს. ურით ნაგებ გეგმით სწორკუთხა, შეეილაფსიდიან შენობას სამხრ-ით და დას-ი მინაშენები ჰქონდა (ახლა მონგრეუია). აღმ. აფსიდში 3 ვიწრო სარკმელია დაყოლებული. შესასვლელები სამხრდან და დას-იდან აქვს. ინტერიერში შეარჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები.

ᲙᲐᲓᲐᲠᲘ, სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის ონში (ლათის სოფსაბჭო), მდ. კოდორის ობაში. ზ. დ. 320 *მ*, გულრიფშიდან *კმ*. ამტყელის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ლათაში (5 *კმ*).

ᲙᲐᲓᲐᲡᲢᲠᲘ (ფრანგ. cadastre), ოფიციალური ორგანოს ან დაწესებულების მიერ შედგენილი სია; რისამე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული. მაგ., წ ყ ლ ი ს კ ა დ ა ს ტ რ ი — სისტემ. კრებული ამა თუ იმ ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების შესახებ.

ᲙᲐᲓᲐᲤᲘ მუამარ (დ. 1940, სირტი), ლიბიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. პოლკოვნიკი (1976 იანვ-იდან გენერალი; ყოველდღიურ ცხოვრებაში ინარჩუნებს პოლკოვნიკის წოდებას). 1965 დაამთავრა სამხ. სასწავლებელი ლეიტენანტის ჩინით. 1966 მიიღო კაპიტნის წოდება. იყო „თავისუფალი ოფიცრების“ ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მონაწილეობდა 1969 წ. 1 სექტ. რევ. გადატრიალებაში, რ-ის შედეგად ლიბიაში დაემხო მონარქიული რეჟიმი და გამოცხადდა ლიბიის არაბთა რესპუბლიკა. ჟ. დაინიშნა რევ. სარდლობის საბჭოს თავ-რედ. 1977 წ. 3 მარტიდან 1979 წ. 2 მარტამდე იყო ლიბიის არაბთა სახ. სოციალ. ჯამაჰირიის საკანონმდებლო და აღმასრ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — საყოველთაო სახალხო კონგრესის (სსკ)—გენ. მდივანი. სსკ სესიის გადაწყვეტილებით (1979, მარტი) სათავეში უდგას „რევოლუციის ხელმძღვანელობას“.

ᲙᲐᲓᲔᲜᲪᲘᲐ (იტალ. cadenza< ლათ. cado — ვეცემი, ვთავდები), 1. ჰარმონიული ან მელოდიური საქმეები, ბრუნვა, რ-იც მუსიკალურ აზრს, ფრაზას ან მთელ ნაწარმოებს მთლიან და დასრულებულ ხასიათს ანიჭებს. ჰარმონიაში გამოყოფენ სრულ (ტონიკით დასრულებულ) და არასრულ (დომინანტით ან სუბდომინანტით დაბოლოებულ) ჟ-ს. ჟ. შეიძლება იყოს ავთენტიკური (ტონიკას წინ უსწრებს დომინანტა) და პლაგალური (ტონიკას წინ უსწრებს სუბდომინანტა), დასრულებული (ტონიკა ვლინდება მძიმე ტაქტში, პრიმის მელოდიურ მდგომარეობაში, დომინანტა ან სუბდომინანტა ვლინდება ძირითადი სახით) და დაუსრულებული (სადაც დასრულებული ჟ-ის აუცილებელი პირობები არ გვხვდება). ე. წ. შეწყვეტილი ჟ. წარმოიშობა ავთენტიკურ ჟ-ში ტონიკის რომელიმე სხვა აკორდით შეცვლის შედეგად. 2. რომელიმე საკრავისათვის (ორკესტრის თანხლებით) დაწერილ ნაწარმოებში ვირტუოზული ეპიზოდი, რ-საც ასრულებს სოლისტი ორკესტრის თანხლების გარეშე (უმთავრესად პიესის I ნაწილში). ჟ., ჩვეულებრივ, წარმოადგენს კონცერტის მთავარ თემაზე აგებულ თავისუფალ იმპროვიზაციულ ფორმას.

ᲙᲐᲓᲔᲢᲘᲠᲘ (ფრანგ. cadet — უმცროსი), 1. ფეოდალურ საფრანგეთსა და პრუსიაში ჯარისკაცის ჩინით სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდა აზნაურები, აგრეთვე დიდგვაროვან ფეოდალთა შვილები, რ-ებიც სამხ. სამსახურში ირიცხებოდნენ ოფიცრის ჩინის მინიჭებამდე. 2. რევოლუციამდელ რუსეთსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში XVIII ს. — XX ს. დასაწყისში კადეტთა კორპუსების აღსაზრდელთა წოდება.

ᲙᲐᲓᲔᲢᲘᲠᲘ (კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია; ოფიციალურად — „სახალხო თავისუფლების“ პარტია), კონტრრევოლუციური ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია რუსეთში. შეიქმნა რუს. 1905—07 რევ. დროს. ჟ-ის პარტიის I დამფუძნებელი ყრილობა შედგა მოსკოვში 1905 წ. 12—18 ოქტ. პარტიის ბირთვს შეადგენდა ლიბერ.-ბურჟ. „განთავისუფლების კავშირი“ და „ერობათა კონსტიტუციონალისტი წევრების კავშირი“. ჟ-ის პარტიის თვალსაჩინო წევრები იყვნენ პ. მილიუკოვი, ვ. მაკლაკოვი, პ. სტრუვე და სხვ. პარტიის პროგრამა ითვალისწინებდა რუსეთში კონსტ. მონარქიის დამყარებას საყოველთაო არჩევნების საფუძველზე არჩეული პარლამენტით, სიტყვის, სინდისის, კრებების თავისუფლებას. პროგრამის აგრ. ნაწილი გულისხმობდა უმიწო და მცირემიწიანი გლეხებისათვის მიწების გადაცემას საუფლისწულო, სახელმწ. და სამონასტრო მიწების ხარჯზე. მუშების საკითხში ჟ. საჭიროდ თვლიდნენ დაქირავებული შრომის კანონმდებლობით მოწესრიგებას, 8-საათიანი სამუშაო დღის თანდათანობით შემოღებას, გაფიცვებისა და კავშირის თავისუფლებას. ეროვნ. საკითხში მოითხოვდნენ ენათა თავისუფლებას, იმპერიის შემადგენლობაში უშვებდნენ პოლ. და ფინ. ავტონომიას.

პროგრამის შედარებით რადიკალური ხასიათი იმით აიხსნებოდა, რომ ჟ-თა პარტია რევ. აღმავლობის დროს შეიქმნა. ჟ-ის ძირითადი ხაზი რევოლუციაზე უარის თქმა და რუსეთის „მშვიდობიანი“, „კონსტიტუციური“ განვითარება იყო. ამიტომ მათ მხარი დაუჭირეს 1905 წ. 17 ოქტ. მანიფესტს, ხოლო დეკ-ში შეიარაღებული აჯანყების შემდეგ მკვეთრად გადაიხარნენ მარჯვნივ. ფართო მასების დემოკრ. განწყობის შედეგად ჟ-მა უმრავლესობა მოიპოვეს I სახელმწ. სათათბიროში, რ-საც ისინი იყენებდნენ პოლიტ. მოღვაწეობის ასპარეზად. ჟ-ის კაპიტულანტურმა პოლიტიკამ გაუადვილა მთავრობას II სათათბიროს დათხოვნა და საბოლოოდ დასცა მათი ავტორიტეტი ფართო მასებში. III სათათბიროს ჟ-ის მხოლოდ 54 დეპუტატი შერჩა. რეაქციის პერიოდში ჟ. აქტიურად მონაწილეობდნენ დემოკრ. ძალების იდეოლოგიურ დევნაში (კრებ. „ვეხი“). რევ. აღმავლობამ ჟ. აიძულა IV სათათბიროში შედარებით „მემარცხენე“ პოზიციებზე დამდგარიყვნენ. მაგრამ მათ რევ. მოძრაობისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე რეაქციისა. I მსოფლიო ომის დროს ჟ-მა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს მთავრობას და ყველა საკითხის გადაჭრა ომის შემდგომი პერიოდისათვის გადადეს.

1917 თებ. რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა ჟ-ის მდგომარეობა. ისინი წამყვან როლს ასრულებდნენ ბურჟ. დროებით მთავრობაში. ამ დროს კადეტთა პარტია 50 ათმდე წევრს ითვლიდა. ჟ. რევ. მოძრაობის უპირველესი მტრები აღმოჩნდნენ.

ოქტ. რევ. შემდეგ საბჭ. მთავრობამ ჟ. „ხალხის მტრების პარტიად“ გამოაცხადა [1917 წ. 28 ნოემბ. (11 დეკ.) დეკრეტი]. ჟ. არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს საბჭ. ხელისუფლებას. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჟ-ის დიდი ნაწილი უცხოეთში გაიქცა და განაგრძობდა აქტ. ანტისაბჭ. საქმიანობას. 1921 პარიზში ჟ-ის პარტიის ცკ-ის ყრილობაზე განხეთქილება მოხდა, რის შემდეგაც ჟ-ის პარტიამ, როგორც პოლიტ. ერთეულმა, მალე შეწყვიტა არსებობა.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 20; მ ი ს ი ვ ე, კადეტები და ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, იქვე, ტ. 19.

ა. მუჯირი.

ი. კადარი.

კადარის ეკლესია.

ᲙᲐᲓᲔᲢᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, დახურული ტიპის პრივილეგიური სამხედრო-სასწავლო დაწესებულება რუსეთში. ცნობილია XVII ს. II ნახევრიდან. პირველად 1732 დაარსდა პეტერბურგში. როგორც წესი, ჟ. ჟ-ში იღებდნენ თავად-აზნაურთა შვილებს და მათ ოფიცრობისთვის ან ოფიცერთა სკოლებისათვის ამზადებდნენ. თბილისში ჟ. ჟ. დაარსდა 1875. 1917-თვის რუსეთის იმპერიაში 29-მდე ჟ. ჟ. იყო. 1918 ძვ. არმიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ჟ. ჟ-ები დაიხურა.

ᲙᲐᲓᲔᲨᲘ, ქ ა დ ე შ ი, ქალაქ-სახელმწიფო ძველ სირიაში, მდ. ორონტესის ნაპირზე, ახლანდ. თელ-ნები-მენდის ადგილას. ამავე სახელწ. ქალღმერთის კულტის ცენტრი. წერილობით წყაროებში ცნობილია ქ ი ნ ზ ა ს სახელითაც. მოსახლ. შედგებოდა ძირითადად დას. სემიტური და

ხურიტული, ნაწილობრივ ინდოარიული ეთნ. ჯგუფებისაგან. წერილობით წყაროებში კ. იხსენიება ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანებიდან. ძვ. წ. XV ს-ში დაიპყრო ეგვიპტემ, ხოლო მოგვიანებით ხეთების ვასალი გახდა. სირიაში ეგვ. და ხეთების მეტოქეობას მოჰყვა ბრძოლა, რ-იც გაიმართა კ-ის მისადგომებთან რამსეს II-სა და ხეთების მეფე მუვათალის შორის (დაახლ. ძვ. წ. 1312). ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. კ. ხეთების ვასალად დარჩა „*ზღვის ხალხების*“ შემოსევამდე (დაახლ. ძვ. წ. 1200).

ლიტ.: Klengel H., Geschichte Syriens im II Jahrtausend v. u. Z., Bd. 2, B., 1969. *ბ. გიორგაძე.*

კადიაკი, კოდიაკი (Kadiak, Kodiak, ესკიმოსური. — კიხტაკი), კუნძული ალასკის სამხრ. ნაპირთან (აშშ). კონტინენტისაგან გამოყოფილია შელიხოვის სრუტით. ფართ. 9,3 ათ. *კმ*². ნაპირები ციცაბოა, ფიორდებით დანაწევრებული. ზედაპირი მთაგორიანია (სიმაღლე 1353 *მ*-მდე). კ-ის დიდი ნაწილი დაფარულია ალასკის ნ.-კ-იდან მოტანილი ვულკ. ფერფლით (ვულკან კატმაის ამოფრქვევის დროს, 1912). ჰავა ზომიერი, ნოტიო. ნალექები 1600 *მმ*-მდე წელიწადში. მაღალბალახოვანი მდელოები. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით. კ. აღმოაჩინა 1763 რუსმა ზღვაოსანმა ს. გლოტოვმა. დასახლ. პუნქტია კადიაკი.

კადიევკა, უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ქ. *სტახანოვის* სახელწ. 1978-მდე.

კადისი (Cádiz), ქალაქი და ნავსადგური სამხრ.-დას. ესპანეთში, ანდალუსიაში, კადისის ყურის (ატლანტის ოკ.) ნაპირზე. კადისის პროვ. ადმ. ცენტრი. 142 ათ. მცხ. (1974). ქვეყნის სამხრ. ნაწილის დიდი სატრანსპ. კვანძი და სამრეწვ. ცენტრი. ნავსადგურის ტვირთბრუნვა 1 მლნ. ტ-ზე მეტია. განვითარებულია საავიაციო მრეწვ. და გემთმშენებლობა. არის თევზსაკონსერვო, თამბაქოს, საფეიქრო და სხვ. საწარმოები. სამხ.-საზღვ. ბაზა.

ძველად ეწოდებოდა გადესი. დაარსეს ფინიკიელებმა დაახლ. ძვ. წ. 800 (სხვ. მონაცემებით, 1100). ძვ. წ. 500 კართაგენს დაემორჩილა, 206 რომაელებმა დაიპყრეს. ძვ. წ. 49 რომის მუნიციპიუმად იქცა. ახ. წ. V ს-ში დაიპყრეს ვესტგოთებმა, VIII ს-ში — არაბებმა, 1262 გაათავისუფლა კასტილიის მეფე ალფონსო X-მ. ესპ. 1808—14 რევ. დროს იყო ცენტრ. ხუნტისა და კორტესის დროებითი რეზიდენცია. კ-ის აჯანყებებით დაიწყო ესპ. 1820 და 1868 რევოლუციები. ქალაქის სიძველეთაგან აღსანიშნავია სანტა-კრუსის ტაძარი (XIII ს, გადაკეთებულია XVII ს.), სანტა-კუევას ეკლესია (XVIII ს. დასასრ., არქიტ. ბენხუმედა; მოხატულობა, 1793—95, ფ. გოია) და სხვ.

კადისის ყურე (Golfo de Cadiz), ყურე ატლანტის ოკეანეში, პირენეს ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაპირთან. სიღრმე 100 *მ*-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 3 *მ*-მდე. ერთვის მდ-ები გვადიანა და გვადალკივირი. მთავარი ნავსადგურია ვილარეალ-დი-სანტუ-ანტონიუ (პორტუგალია).

კადმე (Kadmos), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ფინიკიის მეფის აგენორის ძე, *ევროპეს* ძმა. როდესაც ზევსმა ევროპე მოიტაცა, მამის ბრძანებით კ. დედასთან და ძმებთან ერთად დის საძებნელად გაემგზავრა. დელფოს ორაკულის მითითებით კ-მ დის ძებნას თავი დაანება და ბეოტიაში დაარსა ქ. თებე (რ-ის ციხესიმაგრეს მის პატივსაცემად კადმეა ეწოდებოდა). შემდეგ მოკლა დრაკონი (არესის შვილი). ქალღმერთ ათენას შემწეობით კ. თებეს მეფე გახდა, ხოლო ზევსმა ცოლად მისცა ჰარმონია (თანხმობა; აფროდიტესა და არესის ასული). მითის სხვადასხვა ვერსიებით კ. ხან ფინიკიელია და ხან ეგვიპტელი. მითოლ. ტრადიცია კ-ს მიაწერს ფინიკიური ანბანის შემოტანას ბერძნულში.

კადმიუმი (Cadmium), Cd, ელემენტთა პერიოდული სისტემის II ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 48, ატ. მასა 112,40, $t_{დნ}$ 320,9°C, $t_{დუღ}$ 767°C, სიმკვრივე 8650 *კგ/მ*³, თეთრი მბზინვარე, რბილი ლითონი. შედგება რვა სტაბილური იზოტოპის ნარევისაგან, რ-თა მასური რიცხვებია: 106, 108, 110—114, 116. კ. აღმოაჩინეს გერმ. ქიმიკოსებმა ფ. შტრომაიერმა (1817) და მისგან დამოუკიდებლად კ. ჰერმანმა, კ. კარსტენმა და ვ მაისნერმა (1818). კ. იშვიათი და გაფანტული ელემენტია. ლითოსფეროში მისი შემცველობაა მასის მიხედვით 1,3·10⁻⁵%. კონცენტრირდება ზღვის დანალექ ქანებში. ბიოსფეროში ცნობილია კ-ის სამი იშვიათი მინერალი — კარბონატი $CdCO_3$ (ოტავიტი), ჟანგი CdO (მონტეპონიტი) და სელენიდი CdSe. კ. ნაერთებში ორვალენტოვანია, ჰაერზე მქრქალდება, იფარება CdO ჟანგის თხელი აფსკით, რ-იც ლითონს იცავს შემდგომი დაჟანგვისაგან ჰაერზე ძლიერი გახურებისას კ. იწვის და წარმოქმნის ჟანგს CdO. კ. უშუალოდ უერთდება ჰალოგენებს და წარმოქმნის წყალში ხსნად მარილებს, გოგირდთან — წყალსა და განზავებულ მჟავებში უხსნად სულფიდს CdS. აზოტმჟავაში ადვილად იხსნება და გამოიყოფა აზოტის ჟანგეულები და ნიტრატი $Cd(NO_3)_2 \cdot 4H_2O$ ჰიდრატის სახით. მარილმჟავასთან წარმოქმნის ქლორიდს $2CdCl_2 \cdot 5H_2O$, ხოლო გოგირდმჟავასთან — სულფატს $3CdSO_4 \cdot 8H_2O$ ჰიდრატს. *ჰიდროლიზის* გამო კ-ის მარილთა ხსნარებს მჟავა რეაქცია აქვს, მწვავე ტუტეები მათგან თეთრი ფერის *ჰიდროჟანგს* $Cd(OH)_2$ დალექავენ კ-ის ნაერთები მომწამლავია, განსაკუთრებით საშიშია მისი ჟანგის ორთქლის შესუნთქვა.

კ-ს ლებულობენ თუთიის, ტყვია-თუთიისა და სპილენძ-თუთიის მადნების გადამუშავების თანაპროდუქტებიდან. ლითონურ კ-ს იყენებენ ბირთვულ რეაქტორებში, ანტიკოროზიული და ღეკორ. დაფარვებისათვის, *აკუმულატორებში*. კ. შედის *ადვილდნობადი შენადნობების* შედგენილობაში (მაგ., ვუდის შენადნობში). კ-ის სულფიდი (კადმიუმის ყვითელი) ფერწერული საღებავია. კ-ის ამალგამასა და სულფატს იყენებენ ვესტონის *ნორმალური ელემენტის* დასამზადებლად.

ლიტ.: Реми Г., Курс неорганической химии, [пер. с нем.], т. 2, М., 1966.

კადოეთი, სოფელი დუშეთის რ-ნში (ანანურის სოფსაბჭო), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ჯახის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე ზ. დ. 1320 *მ*, დუშეთიდან 33 *კმ*. მჭადიჯვრის მეხილეობა-მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა ინტერნატით სოფ. ანანურში (10 *კმ*).

კადრი (ფრანგ. cadre, სიტყვასიტყვით— ჩარჩო), 1. კინოტექნიკაში— ცალკეული გამოსახულება, რ-იც მიიღება გადაღების დროს *კინოფირის* ფოტოშრის უბანზე. მის ზომებს განსაზღვრავს კინოგადასაღები აპარატის კადრის ჩარჩო: 70-*მმ*-იანი ფართოფორმატიანი კინოფილმისათვის ჩარჩოს ზომა იქნება 52,5×23 *მმ*; 35-*მმ*-იანი ფართოეკრანიანისათვის — 21,9×18,6 *მმ*; 35-*მმ*-იანი ჩვეულებრივისათვის — 21,9×16 *მმ*; 8-*მმ*-იანი ჩვეულებრივისათვის — 4,9×3,55 *მმ*. თანამიმდევრული კ-ების სერია ქმნის კინოფილმს (ან *დიაფილმს*). 2. ფოტოგრაფიაში— სურათი განსაზღვრული ზომის ფოტოფირზე. კ-ის ზომას შეარჩევენ მისი დანიშნულების მიხედვით (ობიექტის გადაღების დროს). 3. ტელევიზიაში, *ელექტრონულ-სხივური მილაკის* ეკრანზე მიღებული გამოსახულება, რ-იც გადაიცემა გამოსახულების გაშლის სრული ციკლის განმავლობაში. სტრიქონგამოშვებითი გაშლის დროს კ. შედგება 2 ნახევარკადრისაგან (ველისაგან), რ-ებსაც აქვს კენტი და ლუწი სტრიქონები.

კადრილი (ფრანგ. quadrille < ესპ. cuadrilla. სიტყვასიტყვით — 4 კაცისგან შემდგარი ჯგუფი), 1. ფართოდ გავრცელებული ცეკვა. მუს. ზომა 2/4. შედგება 5—6 ფიგურისაგან, რ-თაც საკუთარი სახელწოდებები აქვს და განსაკუთრებული მუსიკა ახლავს. რუსეთში შემოვიდა საფრანგეთიდან. XVII—XIX სს-ში კ. ყველაზე პოპულ. სალონური ცეკვა იყო. ხალხ. ყოფაში დამკვიდრდა სხვადასხვა სახელწოდებით — რუს., უკრ., ბელორ., ლიტვ., ლატვ., ესტ. კ. 2. ტურნირებში, კარუსელებზე და სხვ. სათანადო კოსტიუმებში გამოწყობილი ოთხი მხედრისაგან შედგენილი ჯგუფი.

კადრის გაშლა, სატელევიზიო გამოსახულების თანამიმდევრული დისკრეტული გაშლა შვეული მიმართულებით. კადრის შლის გენერატორი, რ-საც აქვს ელექტრონული სხივის მაგნ. გადამხრელი სისტემა, იგი მიმღები ან გადამცემი სატელევიზიო ელექტრონული მილაკის ეკრანზე დროის გარკვეულ შუალედში ზევიდან ქვევით გადაადგილებს სხივს, რ-იც სწრაფად უბრუნდება საწყის მდგომარეობას. კ. გ-ის სიხშირე მკვეთავი ელექტრული ქსელის ნომინალური სიხშირის (50 ან 60 *ჰც*) ტოლია; იხ. *ელექტრონულ-სხივური მილაკი* და *კადრი*.

კადუნა (Kaduna), ქალაქი ნიგერიაში, მდ. კადუნის (ნიგერის შენაკადი) ნაპირზე. კადუნის შტატის ადმ. ცენტრი. 202 ათ. მცხ. (1975). მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფ-კები, ლუდისა და თამბაქოს ქ-ნები ავეჯის, ქაღალდისა და საკანცელარიო ნივთების წარმოება. რკინიგზის სახელოსნოები.

კაენი (ებრ. კაინ), ბიბლიის მიხედვით, ადამისა და ევას უფროსი ძე, მიწათმოქმედი, საკუთარი ძმის, აბელის მკვლელი. განრისხებულმა იაჰვემ იგი გააძევა „მიწის პირიდან“ საიდის (ებრ. ხეტიალის) ქვეყანაში, ედემის აღმ-ით თქმულება კ-ზე წარმოიშვა ქანაანში მოსახლე ისრაელ ტომებში, რ-თაც მომთაბარე ცხოვრება დანაშაულისათვის მიგებულ სასჯელად მიიჩნიეს. კ. გადატანით კაცისმკვლელს, მოღალატეს ნიშნავს.

კაენის ციხე, 1. ციხესიმაგრე შუა საუკუნეების საქართველოს სამხრ.-აღმ. მხარეში, მდ. აღსტევის (აღსთაფა) ზემოწელზე, ძველ ქართულ პროვინცია *გარდაბანში* (ახლანდ. აზერბ. სსრ). სომხეთ-ისტ. წყაროს მიხედვით, აშენებულია X ს-ში. II ნახევარში, ნამდვილად კი უფრო ძველია. X ს. დასაწყისში გარდაბანი დროებით ეამოვიდა ქართ. სახელმწიფოს გავლენის სფეროდან. XI ს-ში სომეხმა ფეოდალმა გრიგოლ მაგისტროსმა კ. ციხეზნისისა და კაიწონის ციხეებთან ერთად ბიზანტიას გადასცა. საქართველოდან თურქ-სელჩუკების განდევნის შემდეგ კ. ც-ს უკვე საქართვ. სამეფო ხელისუფლება აკონტროლებდა. XIII ს. 30-იან წლებში საქართველოში მონღოლთა ლაშქრობის დროს, კ. ც-ში ჩაიკეტა ავაგ ამირსპასალარი. მალე მან ციხე მონღოლებს ჩაბარა. ამის შემდეგ კ. ც. კარგაევს ძვ. მნიშვნელობას.

2 ციხესიმაგრე მდ. დებედის ხეობაში, ახპატის მონასტრის მახლობლად (სომხეთ. სსრ). აგებულია 1239.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

დ. მუსხელიშვილი

კაერი, სოფელი მესტიის რ-ნში (ლენჯერის სოფსაბჭო), მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1320 *მ*, მესტიიდან 5 *კმ*. მესტიის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. ლენჯერის რვაწლ. სკოლა სოფ. ლეშსიაში (1,5 *კმ*).

კაეტანატა (ესუნარი (11. VI. 1899, ოსაკა, — 16. IV. 1972, ტოკიო), იაპონელი მწერალი. იაპ. ხელოვნ. აკად. წევრი (1953)

ობელის პრემიის ლაურეატი (1968). თხზუ-ებებს აქვეყნებდა 1921-იდან. 20-ან-ულებში ემხრობოდა ნეოსენსუალისტების ოდერნისტულ ჯგუფს. მისი პირველი მნიშ-ელოვანი ნაწარმოებია ლირ. მოთხრობა ძველი მოცეკვავე" (1926). ჯ. ჯოისის ულისეს" გავლენით შექმნილ მოთხრობა-ი „კრისტალური ფანტაზია" (1931) ᲙᲐ-მ ოგონებათა ფრაგმენტების საშუალებით რმოსახა მარტოხელა ქალის ცხოვრება. სი მოთხრობა „თოვლიანი ქვეყანა" 937) პოეტური ასოციაციებით ურთიერთ-აკავშირებულ ნოველებს შეიცავს. ᲙᲐ-ს ოთხრობას „ათასფრთიანი წერო" (1951, პ. ხელოვნ. აკად. პრემია) საფუძვლად ედევს ჩაის კულტთან დაკავშირებული ძვ. პ. წეს-ჩვეულება. შინაგანი ლირიზმითაა მსჭვალული რომანები „მთის კვნესა" 953), „ძველი დედაქალაქი" (1961). ᲙᲐ-ს ოთხრ. „მშვიდობის ბუდე" თარგმნილია რთულად („საუნჯე", 1979, №1). ᲙᲐ. ეასიკური ეროვნ. ლიტ-რის მიმდევა-ია. ძის შემოქმედებას ახასიათებს სწრაფ-ფსიქ. ანალიზისკენ, ინტერესი ქვეცნო-ერისადმი, აგრეთვე ნატიფი სტილი.

ᲙᲐᲒᲝ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსი-ე, საიტამის პრეფექტურაში, ტოკიოს დ.-დას-ით. 214 ათ. მცხ. (1974). სარ-ნიგზო კვანძი და სავაჭრო-სამრეწვ. ცენ-რი. აქეჯის, საფეიერო (ბამბისა და ნთეზური ქსოვილები), კვების მრეწვე-ობა. საავიაციო ქ-ნა. ᲙᲐ-ს რ-ნში არის კვალსათბურე მეურნეობა.

ᲙᲐᲒᲔᲢᲝ, ქალაქი და ნავსადგური იაპო-აში, კ. ჰონსიუზე, საიტამის პრეფექტუ-ში. ტოკიოს ჩრდ.-დას. გარეუბანი. 346 ა. მცხ. (1975). სამხმელო წარმოება. ტრანსპ. მანქანათმშ., ჩარხთმშენებლო-, ავტო- და ძრავათმშენებლობა, ელექტ-ოტექ. (მძიმე ენერგომანქანათმშ., საყო-ცხოვრებო ელექტროტექნიკა), ქიმ., სა-ექრო და კვების მრეწველობა.

ᲙᲐᲓᲘ I (დ. წ. უცნობია, — 531), სასა-ანთა სახელმწიფოს მეფე 488—496 და 9—531. დიდებულთა და ქურუმთა პო-იტ. და ეკონ. ძლიერების დასუსტების ზნით მიემხრო მაზდაკელებს (იხ. *მაზ-აკელთა მოძრაობა*) და გაატარა მათი ოგრამის შესაბამისი ზოგიერთი ღონის-ება. დაახლ. 496 დიდგვაროვნებმა ტახ-ოდან ჩამოაგდეს. 499 დაიბრუნა ტახტი განაგრძო დიდგვაროვანთა საწინააღმ-გო პოლიტიკა. წარმატებით ებრძოდა ზანტიას (502—505 ან 506), მოიგერია დ. ჰუნების თავდასხმა. ᲙᲐ. I-ის დროს არსდა რამდენიმე ქალაქი, გაფართოვდა ხების ქსელი, დაიწყო რეფორმების გა-რება (გააგრძელა მისმა შვილმა ხოს-ი I-მა). მეფობის ბოლო წლებში გა-დგა მაზდაკელებს და სისხლში ჩაახშო თი მოძრაობა (528/529 ან 524).

ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ (ფრანგ. cavalerie, იტალ. valleria < ლათ. caballus — ცხენი), ენოსანი ჯარი, ჯარის გვარეობა. წარ-იშვა ძვ. სამყაროს იმ ქვეყნებში, სადაც სობრივად აშენებდნენ ცხენს. ᲙᲐ-ის წარ-შობამდე ეგვიპტის, ჩინეთის, ინდოეთისა, სხვ. ქვეყნების არმიებში ცხენშებმულ ბრძოლო ეტლებს იყენებდნენ. ᲙᲐ., რო-რც ჯარის გვარეობა, პირველად ასუ-თის არმიაში გაჩნდა (ძვ. წ. IX ს.), მდეგ სხვა უძველეს სახელმწიფო-შიც გავრცელდა. ძვ. წ. VI ს-ში სპარ-თში იგი ჯარის ძირითად გვარეობად ავლებოდა და იყოფოდა მძიმე და მსუ-ქ ᲙᲐ-დ. ᲙᲐ-ის და ქვეითი ჯარის ურთიერთ-ქმედება მოწინააღმდეგესთან ბრძოლა-ᲙᲐ პირველად ბერძენმა სარდალმა ეპამი-ნდამ გამოიყენა. ძვ. წ. IV ს. II ნახე-რში მაკედონიაში შექმნა რეგულარუ-ი ᲙᲐ. ალექსანდრე მაკედონელის კარგად ვრთნილი ᲙᲐ. გამოირჩეოდა მანევრირე-სა და დარტყმის უნარით მან გადამწყ-ტი როლი ითამაშა გრანიკოსის, ისოსის გაგგამელის ბრძოლებში. რომის არმი-ი ᲙᲐ. ჯარის დამხმარე გვარეობად ითვ-ლებოდა. II პუნიკური ომის (ძვ. წ. 218—201) დროს კართაგენის არმიის პირველხა-რისხოვანმა ᲙᲐ-მ ჰანიბალის მეთაურობით გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრებიასა და კანში რომის არმიის განადგურება-ში. დას. ევროპაში ფეოდალიზმის დამკვი-დრების შემდეგ (VIII—IX სს.) ლაშქრის მთავარ ძალად რაინდული ᲙᲐ. იქცა. იგი აღჭურვილი იყო მახვილითა და მძიმე შუ-ბით, ფარით, მუზარადით. XII ს. II ნა-ხევრიდან საცხენე აბჯარს (თორს) ხმა-რობდნენ. ჯერ კიდევ V ს-ში ვანტანგ გორ-გასალის ლაშქარში შეჯავშნულ ცხენს „ცხენთორთოსანი" ეწოდებოდა. მძიმედ აღ-ჭურვილ რაინდებს მოკლე მახვილზე ნელა მიპქონდათ იერიში, რ-იც ორთაბრძოლით მთავრდებოდა. რაინდული ᲙᲐ-ის უმცირესი ერთეული იყო „შუბი", რ-იც 4—10 კაცი-საგან შედგებოდა. 20—50 „შუბი" შეად-გენდა ერთ „დრუშას", რამდენიმე „დრო-შა" — რაინდულ ლაშქარს (არა უმეტეს 800—1000 რაინდისა). მტკიცე ორგანიზე-ბულობა და მაღალი ბრძოლისუნარიანობა ახასიათებდა ჩინგიზ-ყაენის და მისი მემკ-ვიდრეების (XIII—XIV სს.) მონღოლ-თა-თართა მსუბუქ ᲙᲐ-ს. დავით აღმაშენებლის (XII ს.) „რჩეული და მოკაზმული ცხენ-კეთილი" ჯარები გამოირჩეოდნენ სწრაფი მანევრირებისა („მსწაფლ მიმოსვლისა ქვეყანათა შინა") და მოულოდნელი დარტყ-მის უნარით. დიდგორის ბრძოლაში ქართ-ველთა ცხენოსანმა ჯარმა „სდევნა და მოსრნა" მტრის ჭარბი ძალები.

ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის (XIV ს.) და ქვეითი ჯარის როლის გაძ-ლიერების გამო XV ს-ში რაინდულმა ᲙᲐ-მ მნიშვნელობა დაკარგა. XV ს-ში დაწინა-ურდა. ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურ-ვილი ᲙᲐ. XVI ს-ში შეიქმნა ახ. სახის მძიმე ᲙᲐ., რ-ის მხედრები აღჭურვილი იყვნენ კი-რასით (ბეგთრით), მუზარადით, დამბაჩი-თა და ხმლით. მათ კირასირები ეწოდათ. იმავდროულად შეიქმნა მუშკეტებით შეია-რაღებულ დრაგუნთა ნაწილები. XVII — XVIII სს. ევრ. არმიებში 3 სახის ᲙᲐ. იყო: მძიმე — კირასირები, საშუალო — დრაგუ-ნები, კარაბინერები, ცხენოსანი გრენადე-რები, და მსუბუქი — ჰუსარები, ულანები და მსუბუქი ცხენოსანთა პოლკები. მეტ-წილ ქვეყნებში, მ. შ. XII ს. საქართველო-ში, ᲙᲐ. არმიის ნახევარს შეადგენდა.

რუსეთში ცენტრალიზებული სახელმ-წიფოს წარმოშობის შემდეგ (XV ს. II ნახ.) შეიქმნა მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურული ᲙᲐ., რ-იც XVI ს. II ნახევრი-სათვის 150—200 ათ. კაცს ითვლიდა. XVII ს. II ნახევრიდან იგი შეცვალა ᲙᲐ-ის ახ. წყობის პოლკებმა (რეიტერებისა და დრაგუნების 25 პოლკი). XVI ს. ბოლოდან რუს. არმიაში მნიშვნელოვან როლს კაზაკ-თა ცხენოსანი ჯარი თამაშობდა (იხ. *კა-ზაკობა*). XVIII ს. დამდეგს პეტრე I-მა შექმნა დრაგუნთა ტიპის რეგულარული ᲙᲐ. (40 პოლკი), რ-შიც, პირველად ისტორია-ში, არტილერიაც შევიდა (თითო პოლკში 2 ზარბაზანი). რუს. ᲙᲐ-ის წარმომაჩინებე-ლი მაგალითია ლესნაიის (1708), პოლტა-ვის (1709) და სხვ. ბრძოლები.

I მსოფლიო ომის (1914—18) დასაწ-ყისში გერმანიასა და საფრანგეთში ᲙᲐ. გა-ერთიანდა კორპუსებად (რუსეთში 1916-იდან). ახ. საბრძოლო ტექ. გამოყენების შედეგად ომის დასაწყისში ᲙᲐ. დიდ ზა-რალს განიცდიდა. 30-იან წლებში ყველა კაპიტალ. ქვეყნის არმიაში (გარდა პო-ლონეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და იუ-გოსლავიისა) ᲙᲐ. ფაქტობრივად გაუქმდა.

საბჭ. ᲙᲐ-ის შექმნა 1918 დაიწყო. ძვ. არმიიდან მუშურ-გლეხურ წითელ არმია-ში მხოლოდ ᲙᲐ-ის 3 პოლკი შევიდა. რეგუ-ლარული ᲙᲐ-ის I შენაერთი იყო მოსკ. ᲙᲐ-ის დივიზია. 1918 ნოემბერში დონის ოლქ-ში შეიქმნა I ნაკრები ᲙᲐ-ის დივიზია, 1919 იანვარში — სტავროპოლის პარტიზანთა I ᲙᲐ-ის დივიზია. 1919 შუა ხანებში წითელ არმიაში იყო 5 ᲙᲐ-ის დივიზია (1-ლი, მე-4, მე-6, მე-3 თურქესტანისა და მე-7). 1919 წ. II ნახევარში ᲙᲐ-ის დივიზიები ᲙᲐ-ის კორ-პუსებში გაერთიანდა. შეიქმნა პირობე-ბი ᲙᲐ-ის სტრატეგიული მიზნით გამოყენე-ბისათვის. 1919 ივნ. მე-4 და მე-6 ᲙᲐ-ის დივიზიებისაგან შეიქმნა 1-ლი ცხენოსანი კორპუსი ს. ბუდიონის მეთაურობით (1919 ნოემბრიდან 1-ლი ცხენოსანი არმია), სექტ-ში — ნაკრები კორპუსი ბ. დუმენ-კოს მეთაურობით. 1919 ბოლოსათვის წი-თელი არმიის რიგებში 15 ᲙᲐ-ის დივიზია იყო. 1919—20 საბჭ. ᲙᲐ-მ დიდი როლი ითა-მაშა დენიკინის, კოლჩაკის არმიებისა და ბურჟ.-მემამულური პოლ. ჯარების განა-დგურებაში. 1920 ინტერვენტების თანდა-თანობით განდევნამ შესაძლებელი გახადა სტრატეგიული ᲙᲐ-ის შექმნა. 1920 ჩამოყა-ლიბდა 10 ᲙᲐ-ის დივიზია, შეიქმნა მე-2 ცხე-ნოსანი არმია. 1920 ბოლოსათვის სტრა-ტეგიული ᲙᲐ. 27 ᲙᲐ-ის დივიზიას ითვლიდა.

სოციალ. მშენებლობის წლებში საბჭ. ᲙᲐ. აღიჭურვა ახ. საბრძოლო ტექნიკით. მაგრამ II მსოფლიო ომში (1939—45) ტან-კებისა და ავიაციის დიდი ძალების გამო-ყენებამ საჭირო გახადა ᲙᲐ-ის დივიზიების რაოდენობის შეკვეცა 32-იდან (1939) 13-მდე (1941). დიდი სამამული ომის (1941—45) დასაწყისში ᲙᲐ. უზრუნველყოფდა საერთო-საჯარისო შენაერთების დაცვას უკანდახევის დროს. 1941 ზაფხულში შეიქმნა 83 მსუბუქი ტიპის ᲙᲐ-ის დივიზია, რ-ებიც ᲙᲐ-ის კორპუსებში გაერთიანდა. 1943 გატარდა ᲙᲐ-ის რეორგანიზაცია: დაინ-შნა ᲙᲐ-ის სარდალი (საბჭ. კავშირის მარ-შალი ს. ბუდიონი), შეიქმნა ᲙᲐ-ის შტა-ბი, გაუქმდა მსუბუქი დივიზიები, გაიზარ-და დივიზიების შემადგენლობა და ცეცხ-ლის სიმძლავრე. დარჩა 8 ᲙᲐ-ის კორპუსი.

ᲙᲐ-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კავკასიისა და კურსკის (1943) ბრძოლებ-ში, მარცხ. ნაპირის უკრაინის განთავისუ-ფლებასა და დნეპრის გადალახვაში. მაგა-ცობისა და გაბედული მოქმედებისათვის ᲙᲐ-ის ყველა კორპუსს მინიჭებული ჰქონდა გვარდიულის სახელი. 50-იანი წლებიდან მასობრივი დაზიანების იარაღის შექმნასთან და ჯარების სრულ მოტორიზებასთან დაკავშირებით ᲙᲐ-მ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: Энгельс Ф., Армия, Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 14; *მისივე*, Кавалерия, იქვე; Гатовский В. Н., Конница, кн. 1—2, 4, М., 1925—28; Красная конница. Сб. трудов, М., 1923; Плеве П. А., Очерки по истории конницы, СПб., 1889.

ი. შაიშმელაშვილი.

პიეტრო კავალი-ნი. „მოიქეული". ფრაგ-მენტი ფრესკისა „განკითხ-ვის დღე". სანტა-ჩეჩილია ინ ტრასტევერეს ეკლესია. რომი. დაახლ. 1293.

ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲫᲔ ივანე პეტრეს ძე (14.IV. 1887, ხუტორი ლადანსკი, ახლანდ. პოლ-ტავის ოლქი), უკრაინელი საბჭ. მოქანდა-კე და კინორეჟისორი. უკრ. სსრ სახ. არტისტი. წარმოშობით ქართველი. სწავ-ლობდა პეტერბ. ხელოვნების აკადემიაში (1909—10) და ნ. არონსონის პარიზის კერ-ძო სტუდიაში (1910 — 11). მისი მნიშვ-ნელოვანი სკულპტ. ნამუშევრებია: ფ. შა-ლიაპინის პორტრეტი (1909), ოლგას ძეგ-ლი კიევში (1911), ტ. შევჩენკოსი რომნი-ში (1918), გ. სკოვოროდასი ლოხვიცში (1922). 20-იან წლებში განიცადა *კუბიზმის* გავლენა (არტემის ძეგლი არტემიევსკში, 1923—24; ტ. შევჩენკოს ძეგლი პოლტავაში, 1925). მასვე ეკუთვნის ქანდაკებები—„ბოგ-დან ხმელნიცკი" (1945), „ვ. ი. ლენინი და მ. გორკი" (1952) და სხვ. კინოში მოღვაწე-ობდა 1911-იდან, ჯერ როგორც მხატვარი, 1928-იდან კი როგორც სცენარისტი და რეჟ-ისორი. ა. დოვჟენკოს სახ. კიევის კინოსტუ-დიაში დადგა ფილმები: „ნაკადი" (1929), „პერეკოპი" (1930), „ზაპოროჟიელი დუნაის გალმა" (1937), „გრიგოლ სკოვოროდა" (1958) და სხვ.

ᲙᲐᲕᲐᲚᲘᲜᲘ (Cavallini; ნამდვ. გვარი დეი ჩერონი, dei Cerroni), პიეტრო (დაახლ. 1240—50, რომი,—დაახლ. 1330, იქვე), იტალიელი ფერმწერი, *პროტორენესანსის* წარმომადგენელი. ღვთისმშობ-ლის ცხოვრების თემაზე შეასრულა სანტა-

ბ. კავერინი.

ხევსურული კავი.

კავთისხევი. აკლდამა. ისრული ფორმის ტრომპი. XVI—XVIII სს.

მარია ინ ტრანსტევერეს ეკლესიის მოზაიკა (1291) და სანტა-ჩეჩილია ინ ტრანსტევერეს ეკლესიის ფრესკები რომში (დაახლ. 1293, მოღწეულია მხოლოდ „განკითხვის დღის“ ფრაგმენტები). კ. ემყარებოდა გვიანდ. ანტ. ფერწერის ტრადიციებს. იგი პირველი გაემიჯნა ბიზანტ. ხელოვნ. კანონებს და გამოსახულებას მიანიჭა მატერ. ხელშესახებობა და მოცულობა. კ-ს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა XIV ს. იტალ. მხატვრებზე.

კავალკანტი (Cavalcanti) გვიდო (1255 ან 1259, ფლორენცია, — 1300, იქვე), იტალიელი პოეტი. იტალ. პოეტური სკოლის *„დოლჩე სტილ ნუოვოს“* ერთ-ერთი მამამთავარი. ღრმად განათლებული ფილოსოფოსი და რიტორი იყო. ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა პოეზიაში მეცნ. მსჯელობა, რიტორიკისა და სქოლასტიკის ელემენტები. კ. უმღერის ამაღლებულ სიყვარულს, ცდილობს ჩასწვდეს მის ფილოს. აზრს; ცნობილია მისი კანცონა „მანდილოსანმა მთხოვა...“, ბალადა „ტყეში შევხვდი მწყემს ქალს...“ დიდი ღვაწლი მიუძღვის იტალ. ენის დახვეწაში; შეადგინა იტალ. ენის გრამატიკა და წიგნი „საუბრის უნარის შესახებ“. კ-ს სახე უკვდავყო ბოკაჩომ თავის ერთ-ერთ ნოველაში. დანტე მას თავის მეგობრად თვლიდა.

კავასაკი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, კანაგავის პრეფექტურაში. 1 მლნ. მცხ. (1975). მდებარეობს ვაკეზე ტოკიოსა და იოკოჰამას შორის, მათთან და ტოკიოს ყურის დას. ნაპირზე მდებარე სხვა ქალაქებთან ერთად ქმნის ინდუსტრ. რ-ნის კანტოს ბირთვს. იაპ. უდიდესი გემთსაშენი და გემთსარემონტო ცენტრი. მანქანათმშ. და მეტალურგია. ნავთობქიმ. კომბინატი; 2 ეთილენის ქ-ნა, ავტომშენებლობა (ავტობუსები, სატვირთო ავტომობილები), მძიმე ენერგომანქანათმშ. (ტურბინები) და ატომური მრეწვ. მოწყობილობის დამზადება. ცემენტისა და ცეცხლგამძლეების წარმოება. მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები. თესი.

კავატინა (იტალ. cavatina<cavare — გამოცემა, ამოღება), ლირიკული ხასიათის სოლო პიესა ოპერასა და ორატორიაში. არიისაგან განსხვავდება მეტი უბრალოებით, მელოდიის მღერადობითა და მასშტაბის სიმცირით. XIX ს. I ნახევარში კ-ს უწოდებდნენ პრიმადონას ან პრემიერის გამოსასვლელ არიას (მაგ., ანტონიდას კავატინა გლინკას „ივანე სუსანინში“). XIX ს. II ნახევარში ზოგჯერ კ-ს უწოდებდნენ მცირე ზომის მღერადი ხასიათის საკრავიერ პიესასაც.

კავენიაკი (Cavaignac) ლუი ეჟენ (15. X. 1802, პარიზი, — 28. X. 1857, ურნი), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, ბურჟ. რესპუბლიკელი. მონაწილეობდა ალჟირის დაპყრობაში (1832). 1848 თებ. რევოლუციის შემდეგ დანიშნეს ალჟირის სამხ. გუბერნატორად. 1848 მაისში გახდა საფრ. სამხ. მინისტრი. მისი ხელმძღვანელობით ჩაახშვეს *ივნისის აჯანყება* (1848). 1848 დეკ. შუა რიცხვებამდე — საფრ. რესპ. აღმასრ. ხელისუფლების მეთაური.

კავერი, მდინარე ინდოეთის სამხრ. ნაწილში. სიგრძე დაახლ. 800 *კმ*, აუზის ფართ. დაახლ. 80 ათ. *კმ*². სათავე აქვს დს. გატების კალთებზე. კვეთს დეკანის ზეგნის სამხრ. ნაწილს. ერთვის ბენგალის ყურეს, შესართავთან ქმნის დელტას (ფართ. 10 ათ. *კმ*²). საზრდოობს წვიმის წყლით. ახასიათებს მუსონური რეჟიმი. წლის განმავლობაში წყლის ხარჯი შუა დინებაში 300-იდან 12800 *მ*³/*წმ*-მდე მერყეობს. კ-ზე აგებულია ჰესები და წყალსაცავები. იყენებენ სარწყავად, სანაოსნოა შესართავთან და შუაწელის ზოგიერთ ადგილებში.

კავერინი ბენიამინ ალექსანდრეს ძე [დ. 6(19). IV. 1902, ფსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. პირველი მოთხრობა 1922 გამოაქვეყნა. იყო ლიტ. ჯგუფის *„სერაპიონის ძმების“* წევრი. მისი თხზულებები, რ-თა ძირითადი თემაა შემოქმედებითი ინტელიგენციის ცხოვრება, აგებულია რთულ, დაძაბულ სიუჟეტურ ქარგაზე. ავტორია რომანებისა „სურვილების აღსრულება“ (წგნ. 1—2, 1934—36), „ორი კაპიტანი“ (წგნ. 1—2, 1938—44; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), „გადაშლილი წიგნი“ (ტრილოგია, 1949—56), „სარკის წინ“ (1971), მოთხრობების, სტატიების, მემუარებისა („გამარჯობა, ძმაო, ძალზე ძნელია წერა“, 1965; „ძველ სახლში“, 1971 და სხვ.). კ. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ორი კაპიტანი, თბ., 1969.

კავერნა (ლათ. caverna — მღვიმე, ღრუ), ქსოვილების რღვევისა და კვდომის (ნეკროზის) შედეგად ორგანოში (ფილტვი, თირკმელი, ღვიძლი და სხვ.) წარმოქმნილი ღრუ. კ. შეიძლება იყოს დახშული ან ღია, როდესაც კ-ის შიგთავსი გარეთ გამოდის ბუნებრივი არხის საშუალებით. კ. უმეტესად ჩირქოვან-ნეკროზული პროცესებისა და სპეციფ. ანთების დროს წარმოიქმნება; იგი ხელს უწყობს პათოლ. პროცესის გავრცელებასა და გართულებებს (სისხლის დენა, პერფორაცია).

კავთისხევი, სოფელი კასპის რ-ნში, მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., გუდალეთი, ეზატი, თვალადი, ქებაანი, ქვემო ჩოჩეთი, ქვემო ხანდაკი, წიფორი) ზ. დ. 720 *მ*, კასპიდან 10 *კმ*. მერძეოვნობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა, კირქვის კარიერი (ამარაგებს კასპისა და რუსთავის ცემენტის ქ-ნებს). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. კ-ის უძველესი ისტ. უბანია ციხისუბანი, სადაც შემორჩენილია *თარხნიშვილთა* ციხე-გალავნის საძირკველი. კ-ს ხშირად თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ამიტომ მას ხალხში შავსოფელსაც ეძახდნენ. კ-ში დგას გვიანდ. ფეოდ. ხანის კავთის წმ. გიორგის, ლომისის წმ. გიორგის, მონასელიანთ წმ. გიორგის საყდრები და დავლაძიანთ კოშკი.

სოფელში, მონასელიანთ უბანში, მდ. კავთურის მარჯვ. ნაპირზე, აღმოჩნდა აკლდამა (შეისწავლეს 1963, გ. ლომთათიძე). ნაგებობა შედგება საკნისა და დრომოსისაგან, რ-თა კედლები ნაგებია კლდის ქვითა და ბრტყელი აგურით. დრომოსის სიგრძეა 1,5 *მ*, სიგანე — 0 9—1,1 *მ*, სიმაღლე — 1 *მ*. შესასვლელთან შემორჩენილია ოთხსაფეხურიანი კიბე. დრომოსი საკანს უკავშირდება აღმ-იდან ისრულთაღიანი შესასვლელითა და ოთხსაფეხურიანი კიბით. საკანი ოთხკუთხაა (2,85×2,27×3 *მ*), მრგვალგუმბათოვანი გადახურვა აქვს. კუთხეებში 1,4 *მ* სიმაღლეზე აგურით გადაყვანილია ისრული ტრომპები, რ-თაგანაც იწყება აგურის სფერული გადახურვა. გუმბათს ზემოდან ადევს ფილაქვები, შემდეგ ქვის გროვა და მიწაყრილი. საკნისა და დრომოსის კედლები დუღაბზეა ამოყვანილი. კედლებიც და იატაკიც კირითაა შელესილი. საკნის სამხრ. და დს. კედლების ზედა ნაწილში დაყოლებულია შიგნით დაქანებული თიხის მილები. მათი გარე ნაწილი ყრუდაა დახშული. დანიშნულება გაურკვეველია. აკლდამაში არეულად ეყარა ადამიანის ძვლები, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ადრევე გაუძარცვავთ. აკლდამის არქიტექტურაში შეინიშნება XVI—XVIII სს. ქართლ-კახეთის უმრავლეს ნაგებობათათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები. *ბ. ჯორბენაძე*

კავთურა, მდინარე აღმ. საქართველოში, შიდა ქართლში. სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე 1910 *მ* სიმაღლეზე, ერთვის მდ. მტკვარს მარჯვნივ-დან სოფ. ქვემო ხანდაკთან. სიგრძე 26 *კმ*, აუზის ფართ. 129 *კმ*². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, მდგრ.-დი წყალმცირობა — ზამთარში. საშ. მრავალწლ. ხარჯი შესართავთან 0,96 *მ*³/*წმ*. იყენებენ სარწყავად (935 *ჰა*) და წისქვილებისათვის. *ი. აფხაზავა*

კავი (სანსკრ. პოეტი), ძვ. იავური სალიტერატურო ენა. ჩამოყალიბდა ინდონეზიაში ინდ. კულტურის გავლენის პერიოდში (ახ. წ. I ათასწლ. II ნახ.). კ-ლექსიკა ძირითადად ინდ. ენებიდან — სანსკრიტიდან და პალიდან მომდინარეობს, ხოლო გრამატ. წყობა იავური. შემორჩენილი წარწერები შესრულებულია ქმერული დამწერლობიდან მომდინარე ანბანით, რ-საც აგრეთვე კ ა ვ ი ეწოდება. მოღწეულია „რამაიანისა“ და „მაჰაბჰარატის“ სიუჟეტებზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები. XV—XVI სს-ში კ. იავაზ ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით კ-ს როლი შეიზღუდა, გამოიყენებოდა როგორც რელიგიისა და სამართლის ენა. ეს ფუნქციები კ-ს ნაწილობრივ დღესაც შემორჩა კ. ბალიზე.

კავი, სახვნელი იარაღი. შედგება მხარის, კბილის, ერქვანისა და სახნისისაგან. სა ქართველოში ცნობილი იყო ხევსურული, თუშური, კახური, ქართლური, მოხეური, მეგრული, იმერული, სვანური და სხვ. კ-ები. საქართვ. მთის ზოლში გავრცელებული იყო კ-ის ერთ-ერთი სახეობა, რ-საც კ ა ვ წ ვ რ ა ეწოდებოდა. კავწერის სა შუალებით სახნავ ფენას კაწრავდნენ, რ. შემდეგ აადვილებდა ხვნის პროცესს.

კ-ს მიწათმოქმედებაში ენეოლითის ხა ნიდან იყენებდნენ. შუმერსა და ბაბილონში ძვ. წ. IV ათასწლეულში კ-ი რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი.

ლიტ.: ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; Ч и т а я Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, კრ.: Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952. *გ. ჯალაბაძე*

კავიტაცია (<ლათ. cavitas — სიცარიელე), წვეთოვან სითხეში აირით, ორთქლით ან მათი ნარევით შევსებული სიღრმეების (ე. წ. კავიტაციური ბუშტების ან კავერნების) წარმოქმნა. კავიტაციური ბუშტები წარმოიქმნება სითხის იმ ადგილებში, სადაც წნევა $p_{კრ}$-ის მნიშვნელობაზე ნაკლები ხდება (რეალურ სითხეში $p_{კრ}$ დაახლ. უდრის ამ სითხის ნაჯერი ორთქლის წნევას მოცემულ ტემპ-რაზე). თ წნევა მოძრავი წვეთოვანი სითხის ნაკადში დიდი ლოკალური სიჩქარეების შედეგად მცირდება, კ-ს ჰ ი დ რ ო დ ი ნ ა მ ი კ უ რ ს უწოდებენ, თუ იგი აკუსტიკური ტალღების ვავლის შედეგად მცირდება — ა კ უ ს ტ ი კ უ რ ს.

კ. უარყოფითად მოქმედებს ჰიდროტურბინის, ტუმბოს, წევის სრახნის მუშაობას (იწვევს ვიბრაციას, მჭკ-ის შემცირებას, მუშა ორგანოების რღვევას). ჰიდროტურბინის მუშა თვლის ჩაღრმავება ქვედა *ბიეფის* დონეზე ამცირებს კ-ის საშიშროებას, მაგრამ აძვირებს ჰესის მშენებლობას.

აკუსტიკურ კ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიასა და მედიცინაში. კ-ს იყენებენ ფერმენტების, ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტ. სხვა ნივთიერებების მ მოსაყოფად ცხოველური და მცენარეული უჯრედებიდან.

„კავკაზ“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდ

46—1918 თბილისში რუს. ენაზე; თავ-
ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ კერძო, არაოფიც. გამოცემა
ო, 1850-იდან კი კავკ. მეფისნაცვლის
ნცელარია გამოსცემდა. გარდა ოფიც-
ობებისა, იბეჭდებოდა წერილები კავკ.
ტ., არქეოლ., ეთნოგრ., კულტ., ეკონ.,
ᲡᲜ. საკითხებზე და უცხოეთის ქრონიკა.
ᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ნ. ბერძენიშვილი,
ბაქრაძე, პ. იოსელიანი, რ. ერისთავი,
ბროსე და სხვ. „Კ-ᲨᲘ“ დაისტამბა შაქსიმ
ᲠᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠ. „ᲛᲐᲙᲐᲠ ᲩᲣᲓᲠᲐ“
892 წ. 12 სექტ.).

1846—47 „Კ-ᲨᲘ“ სომხ. ენაზე ჰქონდა
მატება „კოვასი“, 1855-იდან — „ᲬᲐᲙᲐᲕ-
ᲬᲘᲙᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“. *ი. ლორთქიფანიძე.*

ᲕᲐᲙᲐᲬᲐᲒᲘ (ნამდვ. გვარი კაჩმაზო-
ᲕᲘ) ილია თაღეოზის ძე (დ. 16. VIII. 1910,
ᲤᲐ. ᲧᲔᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲮᲚᲐᲜᲓ. ᲯᲐᲒᲕᲘᲡ რ-ნი,
ᲮᲜᲠ. ოსეთის ᲐᲝ), ოსი საბჭ. პოეტი, მთარ-
ᲜᲔᲚᲘ. ᲡᲙᲐᲢ ᲬᲔᲕᲠᲘ 1941-ᲘᲓᲐᲜ. ᲬᲔᲠᲡ ᲝᲡᲣᲠ
ᲥᲐᲠᲗ. ᲔᲜᲔᲑᲖᲔ. დაიბადა რევოლუციო-
ᲠᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ადრე დაობლდა. თავს ირ-
ᲩᲜᲓᲐ მოᲯᲐᲛᲐ�გირეობით, სხვა უპატრონო
ᲒᲨᲕᲔᲑᲗᲐᲜ ერთად დახეტიალობდა სა-
ᲠᲗᲕ. და რუს. რ-ნებში. მოხვდა კოᲯᲮᲠᲘᲡ,
ᲛᲓᲔᲒ თბილ. საბავშვო სახლში. დაამთა-
Ა ᲡᲐᲨ. ᲡᲙᲝᲚᲐ, 1934—ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠ. ᲡᲐᲡᲪᲔ-
ᲚᲔᲚᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲜ-ᲢᲘ, 1937 — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔ-
ᲘᲡ ᲡᲐᲮ. თეატრთან არსებული სტუდია.
Ო ᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ. თეატრის რეჟისორი,
ᲓᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ, მწერალთა სამხრ.
ᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲧ-ᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲟᲣᲠᲜ. „ᲤᲘᲓᲣ-
ᲠᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ და სხვ.
ᲐᲥᲢ. ᲛᲝᲚᲔᲒᲬᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ 1925. გამოსცა
ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲬᲔ“
940, ᲝᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ), „ᲝᲭᲠᲝᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ“
955, ᲥᲐᲠᲗ. ᲔᲜᲐᲖᲔ), „ᲩᲔᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“
960, ᲥᲐᲠᲗ. ᲔᲜᲐᲖᲔ), „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ-
ᲚᲝᲑᲔᲚᲘ“ (1968, ᲙᲝᲚᲔᲥᲢ. ᲙᲠᲔᲑ. „ᲛᲬᲘᲡ
ᲛᲔᲚᲔᲠᲐ“). ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲝᲔᲡᲑᲘᲡᲐ „ᲣᲙᲐᲜᲐᲡ-
ᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲘ“ (1939), „ᲘᲡᲐᲒ ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲗᲘ“
944), რ-ᲘᲪ ᲘᲓᲒᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲝᲡᲣᲠᲘ �თᲔᲐᲗᲠᲘᲡ
ᲔᲜᲐᲖᲔ, ᲙᲘᲜᲝᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ („ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲡᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲣᲗᲘ“, 1951—52), მოთხრობებ-
Ი. ᲝᲡᲣᲠᲐᲓ თარგმნა გ. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ პოემა,
ᲐᲕᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕ. პოეტის ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ. გამოსცა
ᲡᲣᲠᲘ ᲐᲜᲓᲐᲖᲔᲑᲘ“ (1955). *Თ. ᲨᲝᲜᲘᲐ.*

ᲐᲕᲐᲙᲐᲬᲐᲙᲘᲐ ᲡᲢᲐᲠᲘᲜᲐ“, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣ-
ᲚᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ, ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ, ᲔᲗᲜᲝ-
ᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ; ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲗᲑᲘ-
ᲚᲘᲡᲨᲘ 1872 ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 1873 ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ
Ხ. ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲡᲢ.
ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲙᲐᲕᲙ. ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲜ-
ᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲔᲑᲘ, ᲬᲘᲠᲘ-
ᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚ. და ᲘᲡᲢ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ,
ᲠᲘᲡᲗᲐᲗᲘᲡ ᲐᲝᲬᲘᲠᲐ და ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, თა-
ᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ რ. ერისთავი, პ. იოსე-
ᲚᲘᲐᲜᲘ, დ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ და სხვ. რედ.-გამომ-
ᲪᲔᲚᲘ — Ა. ᲔᲠᲘᲪᲝᲕᲘ.

ᲐᲕᲐᲙᲐᲬᲐᲒᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“, ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣ-
ᲚᲘ სამეცნიერო-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠ-
ᲜᲐᲚᲘ; გამოდიოდა 1900—05 თბილისში
Ხ. ᲔᲜᲐᲖᲔ. „Კ. Თ-ᲘᲡ“ განყ-ᲑᲔᲑᲘ ᲘᲧᲝ:
ᲙᲙ. ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ; ᲥᲐᲠᲗ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲚᲘᲢ-
ᲠᲐ, ᲞᲠᲔᲡᲐ; ᲡᲝᲛᲮ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲚᲘᲢ-ᲠᲐ,
ᲔᲡᲐ; ᲐᲖᲔᲠᲑ. ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲚᲘᲢ-ᲠᲐ;
ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ; ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐ-
ᲤᲘᲐ. *ი. ლორთქიფანიძე.*

ᲐᲕᲐᲙᲐᲬᲐᲒᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ“, ᲬᲚᲘᲬᲓᲔᲣ-
ᲚᲘ, რ-ᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲔᲛᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡᲘ ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪ-
ᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ 1846—1917. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ
ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ ᲬᲘᲜᲐ.ᲬᲧᲚᲡ.
ᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲜᲓᲔᲜ ᲛᲔᲤᲘᲡᲜᲐᲪᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔ-
ᲚᲐᲠᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲔᲑᲘ. „Კ.
ᲗᲘ“ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ-
Ს ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წ.
ᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ და ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲔᲠᲝᲚᲝᲒ. და ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙ.
ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲚᲓᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ
ᲗᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲓ-
ᲒᲘᲚᲔᲑᲐ და Ა. Ш. ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, „Კ. Კ-ᲨᲘ“
ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙ. ᲛᲐᲡᲐᲚᲐ
ᲔᲠᲙᲐᲕᲙ. Ქ-ᲔᲑᲖᲔ, ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘ-
ᲑᲘ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐ-
ᲐᲝ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ, ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲔ-
ᲑᲘ, ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜ. ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ და სხვ.

როგორც ოფიც. გამოცემა, „Კ. Კ“. ᲔᲬᲔ-
ᲝᲓᲐ მეფის მთავრობის ღონისძიებათა პო-
პულარიზაციას, ამართლებდა ცარიზმის
ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ. *Ш. ᲮᲐᲜᲗᲐᲫᲔ.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘ ᲙᲠᲘᲜᲘ“, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲡᲐ-
ᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣ-
ᲠᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ, გამოდიოდა 1905 თბი-
ᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲣᲡ. ᲔᲜᲐᲖᲔ. გამოვიდა 12 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.
გამომცემელი — ბ. ᲔᲡᲐᲫᲔ, ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ—გ.
ᲔᲡᲐᲫᲔ. დაიბეჭდა ადგილ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ
ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ. *ი. ლორთქიფანიძე.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘ ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘ“, ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ და ᲚᲘᲢᲔ-
ᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ გაᲖᲗᲘᲗ; გამოდიოდა 1881 თბი-
ᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲣᲡ. ᲔᲜᲐᲖᲔ. გამოვიდა 159 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ.
ᲠᲔᲓ.-გამომცემელი — ᲮᲘᲗᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲠᲔᲓᲐᲥ-
ᲢᲝᲠᲘ—Ა. ᲙᲐᲚᲐᲜᲢᲐᲠᲝᲕᲘ. გაᲖᲗᲘᲗ დაიბეჭდა
ᲐᲓᲒᲘᲚ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ.
ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ 1906. *ი. ლორთქიფანიძე.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘ ᲠᲐᲑᲝᲩᲘ“, ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲣᲠᲘ
ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ გაᲖᲗᲘᲗ, ᲠᲘᲡᲓᲛᲐ(Ბ) ᲡᲐᲛᲮᲐ-
ᲠᲔᲗ და თბილისის კომიტეტის ორგანო;
გამოდიოდა თბილისში 1917 წ. 11 (24)
მარტიდან 1918 წ. 8 თებ-მდე. „Კ. Რ.“
ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲐᲡ ᲣᲬᲔᲕᲓᲐ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ-
ᲑᲘ, ᲘᲪᲔᲕᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡ. VII (ᲐᲞᲠᲘ-
ᲚᲘᲡ) ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡᲐ და ᲠᲘᲡᲓᲛᲐ (Ბ) VI
ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ გადაᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠ-
ᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙ.
ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲠᲔᲒ. მთავრობის, მᲔᲜᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ და
ᲔᲡᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲒ, ᲡᲐᲑᲭ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔ-
ᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. რედაქციის მუშაო-
ᲑᲐᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ მონაᲬილეობდნენ პ. ᲯᲐᲒᲐᲠ-
ᲘᲫᲔ, მ. ᲪᲮᲐᲙᲐᲝᲐ, ს. შაუმიანი, ს. ქავთა-
ᲠᲐᲫᲔ და სხვ. ტირაჟი 6 ათ. ც. 1918 თებ.
ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙ. ᲙᲝᲜᲤᲠᲔᲠᲔᲒ. მთავრობამ გაზᲔ-
ᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ დაარბია და „Კ. Რ-ᲘᲡ“ გამო-
ᲪᲔᲛᲐ შეწყდა. *Გ. ᲫᲕᲐᲜᲘᲐ.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘ ᲠᲐᲑᲝᲩᲘ ᲚᲘᲡᲢᲝᲚᲘ“, ᲧᲝ-
ᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲣᲠᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ გაᲖᲗᲘᲗ,
ᲠᲘᲡᲓᲛᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲝᲠᲒᲐᲜᲝ; გამოდიოდა თბილისში 1905 წ.
20 ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ (3 დეკ.) 14 (27) დეკემბ-
ᲠᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ ᲠᲣᲡ. ᲔᲜᲐᲖᲔ. გაᲖᲗᲘᲗ ᲮᲔᲚᲛ-
ᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ და Ხ. შაუმიან-
ᲘᲡ. გაᲖᲗᲘᲗᲐ გადმობეᲭᲓᲐ Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ
ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ. ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲥ-
ᲘᲡᲘᲡᲢᲣᲚ-ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ,
ᲠᲔᲒ. ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ და ᲞᲐᲠᲢ. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ
ᲞᲠᲐᲥᲢ. ᲐᲛᲪᲐᲜᲔᲑᲡ, ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ
ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔ-
ᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ. გაᲖᲗᲘᲗ ᲡᲐᲡᲢᲙᲘᲐᲓ ᲓᲔᲕᲜᲘᲓᲜᲔᲜ
ᲓᲐ №15-ᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲡᲘᲜ გამოცემა ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡᲘ კი-
ᲓᲔᲪ.ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ (№№ 16, 17) გამო-
ᲘᲪᲐ „ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲞᲝᲚᲡᲙᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲔᲚ-
ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ. ტირაჟი 15—17 ათ. ც.
Გ. ᲫᲕᲐᲜᲘᲐ.

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ“, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛ-
ᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲘᲡᲢᲝ-
ᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ გა-
ᲛᲝᲪᲔᲛᲐ 1877—1912. გამოვიდა 32 ტომი.
დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡ ᲫᲘᲡ განკარგულებით. სხვადა-
ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ რედაქტორები იყვნენ: პოლ-
ᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘᲐ ᲩᲐᲠᲜᲘᲐᲕᲡᲙᲘ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ პოტო,
ᲢᲝᲛᲙᲔᲕᲘᲩᲘ, ᲔᲡᲐᲫᲔ.

კრებულში იბეჭდებოდა მასალები კავკ.
ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — მონოგრაფიები, მეᲗᲣᲐ-
ᲠᲔᲑᲘ, ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ მოღვაწეთა ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔ-
ᲑᲔᲑᲘ და Ა. Ш. გამოცემის მიზანი იყო გაᲔ-
ᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲪᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲕᲙ-
ᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲥᲔᲑᲐ-ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲡᲮᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ
ᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ
ᲗᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ. *Ш. ᲮᲐᲜᲗᲐᲫᲔ.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲘᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲜᲘᲗᲘ ᲝᲑᲝᲖᲠᲔᲜᲘᲔ“,
ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ-
ᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ; გამოდიოდა თბი-
ᲚᲘᲡᲨᲘ 1900 ᲠᲣᲡ. ᲔᲜᲐᲖᲔ. რედ.-გამომცე-
ᲛᲔᲚᲘ — კ. ᲑᲔᲒᲜᲘᲩᲘᲫᲔ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛ-
ᲓᲔᲒ ᲐᲓᲒᲘᲚ. მთავრობის განკარგულებით
„Კ. Კ. Მ.“ ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲐ. *ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲬᲘᲡᲗᲘᲡ ᲝᲑᲝᲖᲠᲔᲜᲘᲔ“, ᲧᲝᲕᲔᲚ-
ᲓᲦᲔᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ გა-
ᲖᲗᲘᲗ. გამოდიოდა თბილისში 1886—88
ᲠᲣᲡ. ᲔᲜᲐᲖᲔ. რედ.-გამომცემელი — ნ. ᲤᲠᲔᲜ-
ᲙᲔᲚᲘ. *ი. ლორთქიფანიძე.*

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲐ (სახელწ. პირველად მოხსე-
ᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲫᲕ. წ. VI ს. ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ-
ᲢᲣᲠᲒᲘᲡ ᲔᲡᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲨᲘ „ᲛᲘᲯᲐᲭᲕᲣ-
ᲚᲘ ᲞᲠᲝᲛᲔᲗᲔᲗ“), ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ შავი, აზო-
ᲕᲘᲡᲐ და ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲙᲣᲛᲐ-ᲛᲐ-
ᲜᲘᲩᲘᲡ ᲚᲠᲛᲣᲚᲘᲓᲐᲜ (ᲩᲠᲓ.) ᲡᲚᲠᲙ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬ-
ᲘᲤᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲛᲓᲔ (ᲡᲐᲛᲮᲠ.). ᲤᲐᲠᲗ. 440
ᲐᲗ. *კმ*². ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛ-
ᲧᲝᲤᲘ ᲥᲔᲓᲘ Კ-Ს ᲧᲝᲤᲡ ᲩᲠᲓ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲓ (ᲘᲛᲘ-
ᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲓ; ᲤᲐᲠᲗ. 250 ᲐᲗ. *კმ*²) და ამიერ-
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲓ (ᲤᲐᲠᲗ. 190 ᲐᲗ. *კმ*²). ᲑᲣᲜᲔᲑ-
ᲠᲘᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ განასხვავებენ
ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ დას. და ᲐᲦᲛ. Კ-Ს, რ-ᲗᲐᲒᲐᲜ პირ-
ᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ ᲐᲖᲝᲕᲘᲡᲐ და შავი ᲖᲦᲕᲘᲡ
ᲐᲣᲖᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲐᲣᲖᲡ.

ᲠᲔᲚᲘᲔᲤᲘ. Კ-ᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲘᲡ ᲐᲑᲡᲝᲚ.
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲝᲛᲡ 28 *მ*-ᲘᲓᲐᲜ 5642
მ-ᲛᲓᲔ. Კ-ᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲭᲘ-
ᲠᲐᲕᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ მთებსა და ᲖᲔᲒᲜᲔᲑᲡ. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ
ᲝᲠᲝᲒᲠ. ᲔᲠᲗᲗᲔᲣᲚᲔᲑᲐ: *ᲘᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ
ᲕᲐᲙᲔ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ,* ამიერკავკასიის ᲑᲐᲠᲘ,
*ᲛᲪᲘᲠᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ, ᲗᲐᲚᲘᲨᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛ-
ᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ.*
ᲘᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲕᲐᲙᲔᲨᲘ გა-
ᲛᲝᲘᲧᲝᲤᲐ 3 ᲜᲐᲬᲘᲚᲘ: ᲓᲐᲡ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ
ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘ, ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘ და
ᲐᲦᲛ. ᲘᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘ. ᲙᲐᲕᲙᲐ-
ᲡᲘᲝᲜᲘ გადაᲭᲘმულია ტამანის ნ.-კ-ᲘᲓᲐᲜ
ᲐᲤᲨᲔᲠᲝᲜᲘᲡ ნ.-კ-ᲛᲓᲔ. ᲛᲐᲡᲐᲪ 3 ᲜᲐᲬᲘ-
ᲚᲐᲓ ᲧᲝᲤᲔᲜ: დას. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ (ᲘᲐᲚᲑᲣ-
ᲖᲐᲛᲓᲔ), ᲪᲔᲜᲢᲠ. ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ (ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘᲡᲐ
და ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲠᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ) და ᲐᲦᲛ. ᲙᲐᲕᲙᲐ-
ᲡᲘᲝᲜᲘ (ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲛ-ᲘᲗ). ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝ-
ᲜᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲬᲕᲔᲚᲘᲐ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘ
(5642 *მ*). მთიანეთის ᲠᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲪᲔᲠ-
ᲫᲘᲐ *ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ
ᲥᲔᲓᲘ,* Რ-ᲘᲡ ᲩᲠᲓ-ᲘᲗ და ᲡᲐᲛᲮᲠ-ᲘᲗ გადაᲭᲘ-
ᲛᲣᲚᲘᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲘ, ᲒᲐᲡᲬᲠᲘᲕᲘ და ᲒᲐᲠᲓᲘ-
ᲒᲐᲠᲓᲛᲝ ᲥᲔᲓᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘ

კალთა წარმოადგენს ახალგაზრდა აზეკებებში ჩართულ იმიერკავკასიის ბაქნის კიდეს. გვერდითი ქედი ჰერცინული დანაოჭების ინტენს. გამოვლინების ზონაა. მთავარ ქედზე გაშიშვლებულია ბაიკალურ-ადრეულჰერცინული მეტამორფული კომპლექსი ჰერცინული ასაკის გრანიტის ინტრუზიებით. ძვ. გრანიტულ-მეტამორფული წარმონაქმნები შეცოცებულია კავკასიონის სამხრ. კალთის მეზოზოურ წყებებზე. მდ. ფშეხის სათავეებს დას-ით და მდ. თერგის აღმ-ით ძვ. კრისტ. კომპლექსი დაძირულია ლიას-დოგერის თიხოვან-ფიქლოვანი სქელი ფორმაციის ქვეშ, რ-იც კავკასიონის ცენტრ. ნაწილში ღერძულ ანტიკლინორიუმს ქმნის. ლიას-დოგერის წყება დაფარულია იზოკლინურად დანაოჭებული ზედაიურულ-ეოცენური ფლიშით. ჩრდ. კალთაზე და სამხრ. კალთის დას. ნაწილში ფლიშს ენაცვლება კირქვები.

რიონ-მტკვრის მთათაშუა როფის და მცირე კავკასიონის მეგანტიკლინორიუმის საფუძველია ჰერცინული გრანიტოიდებით გარღვეული ზედაკამბრიულისწინა—ქვედაკამბრიული მეტამორფული კომპლექსი. იგი გაშიშვლებულია ძირულის, ხრამის, ლოქის, არზაქანისა და მეღრის მასივებზე. მთათაშუა როფს ძირულის მასივი (ლიხის ქედი) ზედაპალეოგენურ-ანთროპოგენური მოლასური ნალექებით ამოვსებულ რიონისა (დას.) და მტკვრის (აღმ.) ღრმულებად ყოფს.

მცირე კავკასიონი და სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთი ჰეტეროგენული აგებულებისაა. ცარცულ-პალეოგენური ნალექებით აგებულ მესხეთ-თრიალეთის სისტემას სამხრ.-აღმ-კენ ცვლის იურული და ცარცული ვულკანოგენურ-კარბონატული ნალექებით აგებული ლოქ-ყარაბაღის ზონა. სევან-ჰაქერის ღერძულ ზონაში ფართოდ არის განვითარებული ულტრაფუძე ინტრუზიები, სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთზე — ახალგაზრდა ლავები (ახალქალაქის პლატო, გეღამის, ვარდენისის ქედები და სხვ.).

კ. მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ტყვია-თუთიის საბადოებია ჩრდ. ოსეთსა და საქართველოში, სპილენძისა და მოლიბდენის — ყაბარდო-ბალყარეთსა და სომხეთში, რკინისა — აზერბაიჯანში, იქვეა ალუნიტებიც, მანგანუმისა და ქვანახშირისა — საქართველოში, ნავთობაირისა — აზერბაიჯანში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში, დაღესტანში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებსა და აღმ. საქართველოში. კ. მდიდარია აგრეთვე მინერ. წყლებით, საშენი მასალითა და სხვ.

ჰავა. კ. მდებარეობს ზომიერი და სუბტროპ. ჰავის სარტყლების საზღვარზე. კავკასიონი მნიშვნელოვანი კლიმატგამყოფია. იგი აბრკოლებს ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასების გავრცელებას სამხრკენ, ხოლო სამხრეთის თბილი ჰაერისას—ჩრდ-კენ და მკვეთრ კლიმ. კონტრასტს ქმნის ჩრდ. კავკასიასა და ამიერკავკასიას შორის. იანვრის საშ ტემპ-რა ჩრდ. კავკასიაში —2, -5°C, დას. ამიერკავკასიაში (კოლხეთის დაბლობი) 4,5—6°C, აღმ. ამიერკავკასიაში (მტკვარ-არაქსისა და ლენქორანის დაბლობები) 1—3,3°C. ზაფხულობით ტემპ-რული კონტრასტი ჩრდ. კავკასიასა და ამიერკავკასიას შორის მცირდება, დას. და აღმ. ამიერკავკასიას შორის კი შესამჩნევია. ივლ. საშ. ტემპ-რა კ-ის დას. ნაწილში 23—24°C, აღმ. ნაწილში 25—29°C. დას. იმიერკავკასიის ჰავა ზომიერი კონტინენტურია (სტეპური), აღმ. იმიერკავკასიისა — უფრო კონტინენტური და მშრალი (ნახევარუდაბნოსი). კოლხეთში ნოტიო სუბტროპ. ჰავა, იცის რბილი ზამთარი და უხვი ნალექი (1200—1800 *მმ* და მეტი წელიწადში). ნოტიო სუბტროპ. ჰავაა ლენქორანის დაბლობზეც (ნალექები დაახლ. 1200 *მმ*-მდე წელიწადში), თუმცა ზაფხულის დასაწყისი აქ მშრალი იცის. მტკვარ-არაქსის დაბლობის ჰავა მშრალი სუბტროპიკულია (ნალექები 200—400 *მმ* წელიწადში, აღმ. ნაწილში 200 *მმ*-ზე ნაკლებიც), ზამთარი რბილია, ზაფხული ცხელი. მსგავსი ჰავაა არაქსის შუა დინების ქვაბულსა და სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთშიც.

მთიანი რელიეფის გამო კ-ს სიმაღლებრივი კლიმ. ზონალურობა ახასიათებს. ნალექები დიდი რაოდენობით (2500 *მმ*-მდე, ზოგან 4000 *მმ*-მდეც) მოდის დას. და ცენტრ. კავკასიონის სამხრ. და სამხრ.-დას. კალთებზე. ნალექების მაქს. 4519 *მმ* მოდის მთა მტირალაზე (მესხეთის ქედი). ეს სსრკ-ის ნალექების მაქსიმუმიცაა. კავკასიონის კალთებზე 2000 *მ* სიმაღლეზე იანვ. საშ. ტემპ-რაა — 8°C, აგვ. 13°C. უფრო მაღლა სუბალპ., ალპ. და ნივალური სარტყლებია. შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე (ნოვოროსიისკ — გელენჯიკის რ-ში) ხმელთაშუა ზღის ჰავაა, იცის ნოტიო ზამთარი და მშრალი ზაფხული.

მცირე კავკასიონის შიგა კალთების ჰავა ჰგავს კავკასიონის მოპირდაპირე კალთების შესაბამისი სარტყლების ჰავას. ტენიანობა აქაც დას-იდან აღმ-კენ კლებულობს. თალიშის ქედის კალთებზე ნოტიო ჰავაა. წელიწადში 1700 *მმ* ნალექი მოდის. სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთის შიგა ნაწილში (სომხეთი) ჰავა უფრო კონტინენტურია, ვიდრე კავკასიონის ამავე სიმაღლის კალთებზე. აქ 2000 *მ* სიმაღლეზე იანვ. საშ. ტემპ-რა —12°C, ივლ. 18°C; თოვლის საფარი 4—5 თვეს დევს. ნალექები 450—550 *მმ* წელიწადში, ჩრდ. ნაწილში 600—700 *მმ*. 2200—2300 *მ* ზევით გაბატონებულია მაღალი მთის ნოტიო ჰავა გრილი ზაფხულით და ხანგრძლივი ცივი ზამთრით.

გამყინვარება. მყინვარები ძირითადად თავმოყრილია კავკასიონზე, განსაკუთრებით მის ცენტრ. ნაწილში. კავკასიონზე 2200-მდე მყინვარია (ჩრდ. კალთაზეა დაახლ. 70%), რ-თა ფართ. 1430 *კმ*². ჩრდ. კალთის ძლიერი გამყინვარება განაპირობა ექსპოზიციამ, ოროგრ. პირობებმა და სამხრ. კალთიდან ჩრდ. კალთაზე თოვლის გადასვეტამ ქარბუქის დროს. ცენტრ. და დას. კავკასიონზე გამყინვარება უფრო მძლავრია, ვიდრე აღმ. კავკასიონზე, რაც გამოწვეულია აღმ-კენ ჰავის კონტინენტურობის ზრდით. უდიდესი მყინვარები თავმოყრილია ცენტრ. კავკასიონზე (ჩრდ. კალთაზე — *დიხსუ, ბეზენგი, ყარაუგომი*; სამხრეთისაზე — *ლეზნირი, ტვიბერი, წანერი*). გამყინვარების მძლავრი კერებია: იალბუზი და მყინვარწვერი. პატარა მყინვარებია მცირე კავკასიონზე — არაგაწის მთაზე და ზანგეზურის ქედზე.

შიგა წყლები. კ-ის მდ-ები ეკუთვნის ატლანტის ოკეანისა (მდ-ები ყუბანი, ენგური, რიონი, ჭოროხი და სხვ.) და კასპიის ზღვის (მდ-ები მტკვარ-არაქსი, სულაკი, თერგი და სხვ.) აუზებს. მდ-ებმა, რ-ებსაც მყინვარებში აქვთ სათავე, იციან ხანგრძლივი (დაახლ. 6 თვე) წყალდიდობა წლის თბილ პერიოდში; კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და სამხრ. კ-ის ვულკ. მთიანეთის არამყინვარულმა მდ-ებმა კი — უმთავრესად გაზაფხულზე. კავკასიონის სამხრ. კალთის მდ-ებზე ხშირია ზაფხულის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. იმიერკავკასიის არამყინვარული მდ-ების წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა (ზოგჯერ დაშრობაც კი) — ზაფხულში, იყინება ზამთარში. სტავროპოლის მაღლობს რწყავს მდ. ყუბანიდან გაყვანილი არხები. აღმ. კ-თვის ნიშანდობლივია ღვარცოფები. კ-ის კარსტულსა და ვულკ. რ-ნებში მდ-ები საზრდოობენ ძირითადად მიწისქვეშა წყლით, ზედაპირული ჰიდროგრ. ქსელი სუსტადაა განვითარებული და მდინარეთა მეტი წილი მიწისქვეშ მიედინება. სანაოსნოა მდ-ების მტკვრის, ყუბანისა და რიონის ქვემო დინებები. კ-ის მდ-ები მდიდარია ჰიდროენერგიით, იყენებენ სარწყავად, ხე-ტყის დასაცურებლად. მდ-ებზე აგებულია ჰესები, წყალსაცავები.

კ-ის ტბები გენეტურად მრავალგვარია. უდიდესი ტბაა *სევანი*, რ-იც ამუშავებს ჰესების კასკადს (6 ჰესი). აღმ. კ-ის ბარში ბევრია მლაშე ტბა. *ლ. მარუაშვილი.*

მცენარეულობა. კ-ის მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას განაპირობებს მის ფიზ.-გეოგრ. ფაქტორთა სხვადასხვაგვარობა და გეოლ. წარსული. კ-ის მცენარეულობა თავისი შემადგენლობით ჰგავს ევრაზიისა და აფრიკის რეგიონთა მცენარეულობას. გვხვდება სხვადასხვა გეოლ. ასაკის მცენარეული ფორმაციაც, მ. შ. მესამეული ხანის რელიქტური ტყეების, უძველეს ხმელთაშუაზღვისპირეთის მთის ქსეროფიტებისა და სხვა მცენარეულობის ტიპები, რ-ებიც ზონალურად შემდეგნაირადაა განლაგებული: აღმ. იმიერკავკასიაში, აღმ. და სამხრ. ამიერკავკ. დაბლობებსა და მთისწინეთში, ნაწილობრივ, 1000—1400 *მ* სიმაღლის ქვესარტყელში, უდაბნო და ნახევარუდაბნოა. უდაბნოში ძირითადად იზრდება აბზინდა ანუ ავშანი, მლაშობურები და სხვ. სამხრ. ამიერკავკასიაში თავისებური ღორღიანი უდაბნოა (ე. წ. ჰამადა) ვიწროფოთოლა ფარსმანდეკითა და სხვ. ნახევარუდაბნოში აბზინდასთან ერთად ხარობს წივანა, კაპუეტა, ვაციწვერა, ურო და სხვ. ველი (სტეპი) გავრცელებულია დას. იმიერკავკასიის ბარში, კავკასიონზე, აღმ. ამიერკავკ. მთისწინეთსა და მცირე კავკასიონზე 2600 *მ* სიმაღლემდე. აქ ხარობს ვაციწვერა, წივანა, კეწეწურა, ქსეროფილური ისლები, ნაირბალახები და პარკოსნები. უფრო ხშირია ნაირბალახოვან-ვაციწვერიანი, წივანიან-ვაციწვერიანი და წივანიანი ველები. ჩრდ. კ-ის მთისწინეთში, სტეპისა და ფოთლოვანი ტყის სასაზღვრო ზოლში ლანდშაფტურად გამოსახულია ტყე-სტეპი. აღმ. ამიერკავკ. მთისწინეთში თავისებურია ურროიანები, ურროიან-ვაციწვერიანები და სხვ. მთის სტეპი (1800—2600 *მ* სიმაღლემდე) მეტწილად წივანიან-წურწუმიანი და ვიწროფოთოლა ვაციწვერიანია. შედარებით უფრო ტენიან პირობებში ვითარდება ნაირბალახოვანი სტეპი — მდელოსტეპი. ზოგან (3000 *მ* სიმაღლემდე) ზონალურად მთის სტეპებთან შეთავსებულია ნარეკლიანები (ფრიგანა)—მთის ქსეროფილური მცენარეულობა: გლერძიანები, ზღარბიანები, ესპარცეტიანები, ურციანები, ბეგქონდარიანები და სხვ. ამავე სარტყელშია ქსეროფილური მეჩხერი ტყეები (ნათელი ტყეები, არიდული მეჩხერი ტყეები) ღვიითა და ფოთლოვანი ჯიშებით (ბერყენა, აკაკი, საკმლის ხე და სხვ.), აგრეთვე ჯაგეკლიანი ბუჩქნარი (შიბლიაკი). კ-ის დიდი ნაწილი (მთიანეთი) ტყიანია. ტყეები გავრცელებულია, დაბლობიდან 2700 *მ* სიმაღლემდე. დაბლობის ტყეების მთავარი მასივები, უმეტესად მუხნარები, გავრცელებულია კოლხეთში (იმერული მუხის მუხნარები); აქ ხშირია დაჭაობებული მურყნარები ლიანებითა და ხშირად მარადმწვანე ქვეტყით; მდინარეთა ნაპირებზე — ლაფნიან-მურყნარები, რ-ებშიც სხვა ფოთლოვანი ჯიშებიცაა შერეული.

თალიშის დაბლობის ტყეებისთვის დამახასიათებელია ლენქორანული ხერკინა, წაბლფოთოლა მუხა, ჰირკანული ძელქვა, ჰირკანული ვერხვი და სხვ.; მდინარისპირა ტყეებისათვის — ჰირკანული მურყანი, ლაფანი, ჰირკანული ბოკვი და სხვ., აღმ. ამიერკავკ. ბარის სხვა დაბლობ ტყეებში გაბატონებულია ჭალის მუხა, რ-ის თანადამინანტებია: ალაზან-აგრიჩაის ვაკეზე — ჩვეულებრივი მურყანი, ლაფანი, ჩვეულებრივი და თუთუბოფფთოლა იფანი, ზოგან ჰირკანული ბოკვი, თელა და სხვ., კასპიისპირა კავკასიონზე (ჩრდ. აზერბაიჯანი, სამხრ. დაღესტანი) — შებუსვილი მუხა. მდინარისპირა ტყეებში (ჭალის ტყეტუგაი), რ-ებიც ინტრაზონალურად მოქცეუ-

ლია ამიერკავკ. უდაბნოს სარტყელში, ჭალის მუხის გარდა ხარობს ხვალო, თელა, ტირიფი, სოსნოვსკის ოფი და სხვ. ამიერკავკასიის ჭალის ტყეებს კი ქმნიან ჯუნგწიანი მუხა, თეთრი ხვალო, ოფი და სხვ.

კ-თვის უნიკალურია სამხრ. ამიერკავკ. აღმოსავლური ჭადრის ჭალის ტყე. ჭალის ტყეებს თან ახლავს ლიანები (ეკალღიჭი, ველველეკი, კატაბარდა და სხვ.). დას. ამიერკავკ. მთის ქვესარტყელში, ნაწილობრივ მთისწინეთსა და შუა სარტყელში, 200-იდან 1200 *მ* სიმაღლემდე გავრცელებულია რელიქტური კოლხური ტყე — მრავალდომინანტური შერეულფოთლოვანი ტყე, სადაც ბარობს წაბლი, აღმოსავლური წიფელი, კოლხური და ქართული (უფრო ნაკლებად) მუხა, კავკ. რცხილა, ჩვეულებრივი ხურყანი და სხვ. ამ ტყის თავისებურებაა აგრეთვე მარადმწვანე ქვეტყე (შქერი, წყავი. ბაძგი) და ლიანები (კოლხური და ჩვეულებრივი სურო და სხვ.). წაბლნარები გვხვდება უმთავრესად მთის ქვესარტყელში, ზოგან უფრო დაბლაც, ხოლო ამავე მთისწინეთში — კოლხური მუხნარები (იმერული, კოლხური და ფ., ნაწილობრივ, ქართული მუხა); კირქვებზე ჯაგრცხილნარ-მუხნარებია; აფხაზეთში განსაკუთრებულია მანანიანი მუხნარები. ასეთივე რელიქტური შერეულფოთლოვანი ჰირკანული ტყეებია თალიშის მთების ქვესარტყელში, 600 *მ* სიმაღლემდე. ამ ტყეებში ბარობს წაბლფოთოლა მუხა, ლენქორანული ალერკინა, ძელქვა, რცხილა, წიფელი, კასპიური ტყემალი და სხვ.; სამხრ. ნაწილის ტყეებში — ლენქორანული ალბიცია და კასპიური გლედიჩია; მარადმწვანე ქვეტყეშია ჰირკანული თაგვისარა, იშვიათად, ჰირკანული ბაძგი და სხვ. შუა სარტყელში, 1300 *მ* სიმაღლემდე, გაბატონებულია წაბლფოთოლა მუხის მუხნარები, რ-საც სარტყლის ზედა ზოლში განსხვავებული ქსეროზიციის ფირდობებზე ენაცვლება ნიფლნარები, უფრო მაღლა — ქართ. მუხის მუხნარები.

აღმ. ამიერკავკ. სხვა მხარეში და კავკასიონის ჩრდ. კალთებზე ქვედა, ზოგან კი შუა სარტყელშიც (400—1600 *მ*) ფიტოფანდშაფტს ქმნის მუხნარები, რცხილნარები, ჯაგრცხილნარ-მუხნარები და სხვ. სარტყლის ზედა ზოლში მუხნარებთან მორიგეობენ წიფლნარები.

ამიერკავკ მთისწინეთში ძელქვა და მუხა ქმნიან მუხნარძელქვიანებს, ზოგან კი ძელქვის წმინდა კორომებია. თითქმის ყველ კ-ში (სამხრ. ამიერკავკ. და კავკასიონის აღმ. რ-ნების გარდა), 600—2000 *მ* სიმაღლეზე გავრცელებულია წიფლნარები, ოლო ზონალურობა კარგად არის გამოხატული მთის შუა და ზედა სარტყელში, უმცა კოლხეთში წიფელი (სხვა ჯიშებთან შერეული ან მცირე კორომებად) ბარობს და იზრდება.

დას. ამიერკავკასიაში ხშირია წიფლნარები მარადმწვანე ქვეტყით, ხოლო კ-ის სხვა ნაწილში — ბალახოვანი და მკვდარი ფარით. ზოგან 800—1500 *მ* სიმაღლეზე მუხნარებთან დაკავშირებულია უთხოვრიანები და წიფლნარ-უთხოვრიანები; ამავე სარტყელში მცირე რაოდენობით გვხვდება ნაბლნარები და წიფლნარ-წაბლნარები.

მუქწიწვოვანი ტყეები — ნაძვნარი (აღმოსავლური ნაძვისა) და სოჭნარი (კავკ. ოჭისა) ხშირად წიფლის თანადომინანტობით, მარადმწვანე ქვეტყითა და ბალახოვანი საფარით გავრცელებულია დას. ამიერკავკასიაში, კავკასიონის ჩრდ.-დას. ნაწილში და აღმ. საქართველოს დას. რ-ნებში (ბაბლ. მანგლისის მერიდიანამდე), 1000 მეტრიდან (კოლხეთში უფრო დაბლაც) 2100 *მ* სიმაღლემდე. აღმ. და სამხრ. ამიერკავკასიაში ეს სარტყელი შენაცვლებულია მუხნარებით და წიფლნარებით. ფიჭვნარებს ქმნის 5 სახეობის ფიჭვი: შავი ზღვის სანაპიროზე 400 *მ* სიმაღლემდე ალაგ-ალაგ ბარე კორომებს ქმნიან ყირიმული და ბიჭვინთის ფიჭვები; სამხრ. აჭარაში — მცირეაზიური (კოხის) ფიჭვი (ქართული და აქა-იქ ჭოროხული მუხების თანადომინანტობით); ცენტრ. ამიერკავკასიაში 600 *მ* სიმაღლემდე იზრდება ელდარის ფიჭვის მეჩხერი ტყე; კ-ში (უმთავრესად კავკასიონის ჩრდ. კალთებზე) 1000—2000 *მ* სიმაღლეზე თითქმის ყველგანაა კავკ. (სოსნოვსკის) ფიჭვის ტყეები. ტყის სარტყელში ხეობებში შერეულფოთლოვანი ტყეებია. მთის ტყის სარტყლის ზემოთ (1700—2300 *მ* სიმაღლეზე) სუბალპ. მცენარეულობაა: ტანბრეცილი და მეჩხერი ტყეები, ბუჩქნარები, მაღალბალახეულობა და მდელოები. სუბალპ. ტყეებია უმთავრესად ტანბრეცილი წიფლნარები და არყნარები, მეჩხერი ტყეები (აღმოსავლური მუხის და მაღალმთის ბოკვისა), აგრეთვე ხშირია ფიჭვნარი და სოჭნარი, ხოლო კ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში ზოგან ღეიანებიც გვხვდება. სუბალპ. ბუჩქნარები ძირითადად დეკიანები და იელიანებია, ბევრგან — ტირიფიანებიც, დას. კ-ში — აგრეთვე შქერიანები და თხილიანები, აღმ. და სამხრ. რ-ნებში — ქონდარა ღვიიანები. კ-ის დას. ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული სუბალპური მაღალბალახეულობა, რ-იც აღმ. და სამხრეთში მცირდება და ღარიბდება ფლორისტიკულად. სუბალპ. მდელოები მოიცავს ნამიკრეფიანებს, ბრპამიარებს, ძიგვიანებს, წივანიანებს, ისლიანებს, მარცვლოვან-ნარბალახოვნებს, ნარბალახოვნებს და სხვ. ალპური მცენარეულობა (დეკიანები, ჭრელწივანიანები, ძიგვიანები და სხვ.) გვხვდება 2200—3100 *მ* სიმაღლეზე. დიდი ფაროული უკავიათ გამოვების შედეგად წარმოქმნილ მეორეულ ხალებს (მარმუჭიანები, ფესვმაგარიანები და სხვ.); 2200—2700 *მ* სიმაღლეზე დამახასიათებელია ნარბალახოვან-მარცვლოვნიანი და მარცვლოვნიანი მდელოები, კოლხეთის კირქვებზე — ენდემური ისლიანგეუმიანები) 2700—3100 *მ* სიმაღლეზე კი ძირითადად ალპ ხალებია, კორდოვანი ისლიანები, წივანიანები, კობრეზიანები და სხვ. სუბნივალურ სარტყელში (3100—3600 *მ* სიმაღლეზე) შეკრული მცენარეული საფარი აღარ არის, მას ეკარგება ლანდშაფტური მნიშვნელობა, თუმცა გვხვდება ზედა ალპ. მცენარეულობის ფრაგმენტები, მცენარეთა განლაგება აქ მეჩხერ-ჯგუფურია; მთელი რიგი მიკროფიტოცენოზებისა შექმნილია ენდემური გვარებით. ნივალურ სარტყელში (4000 *მ*-ზე მაღლა), სადაც შიშველი კლდეების, მარადი თოვლისა და მყინვარების ლანდშაფტია, იზრდება ყვავილოვანი მცენარეების 15—20 სახეობა.

მცენარეული ტიპების მთელი რიგი ინტრაზონალური ხასიათისაა. მაგ., ჭაობისა და წყლის მცენარეულობა გავრცელებულია დაბლობიდან მოკიდებული ალპ. სარტყლამდე.

კასპიისზღვისპირეთის დიუნების მცენარეულობა შუა აზიის ქვიშიანი უდაბნოების მცენარეულობის მსგავსია (ე. წ. ლიტორალური უდაბნო). აქ იზრდება ლეიმუსი, ქვიშიანის აბზინდა, სპარსული ხვართქლა და სხვ. მისგან განსხვავებულია შავი ზღვის რიყის— ქვიან-ქვიშიანი პლაჟის (ლიტორალის) მცენარეულობა სანაპიროს რბილნით, ზღვისპირული ნარით, ყაყაჩურით, ზღვისპირული შროშანით, კოლხური ისლით და სხვ.

ლიტ.: Гроссгейм А. А., Растительный покров Кавказа, М., 1948; Гулисашвили В. З., Махатадзе Л. Б., Прилипко Л. И., Растительность Кавказа, М., 1975; Карта растительности Европейской части СССР (М.— 1 : 2500000). Пояснительный текст, М.—Л., 1950. *მ. სანოკია.*

ცხოველთა სამყარო *კ-ში* ნარიფეროვანია და წარმოადგენს ევრ., შუაზიური და აფრ. სახეობებისგან შექმნილ ფაუნისტურ კვანძს. ძუძუმწოვრებიდან ენდემურია 2 სახეობის ჯიხვი (დას. კავკასიური და დაღესტნური). ენდემურია აგრეთვე ალპ. მდელოების ბინადარი პრომეთეს მემინდვრია. სამხრ. კავკასიის ვულკანურ მთიანეთში ცხოვრობს მუფლონი, ალპ. მდელოებზე — ნიამორი და არჩვი. აღმ. კ-ის ველებზე გვხვდება ქურციკი და ზოლებიანი აფთარი, ხოლო ჩრდ.-აღმ. კავკასიაში — საიგა; ტყეებში მრავლადაა ირემი, შველი, გარეული ღორი, მურა დათვი, ფოცხვერი, ტყის კატა, მგელი, ტურა, მელა, ტყისა და თეთრყელა კვერნები, მაჩვი. კ-ის სამხრ. ნაწილში ალაგ-ალაგ გვხვდება ჯიქი, ლელიანის კატა, ბრუცა, ხოლო თალიშის მთებში — მაჩვ-ზღარბი; ტყეებში ბინადრობს კავკ. ციყვი, ძილგუდა, ტყისა და ყვითელყელა თაგვი. მრავალგანაა წყლის მემინდვრია, ალაგ-ალაგ გვხვდება მიწის კურდღელი. მრავლადაა კურდღელი, სხვადასხვაგვარი ღამურა, მწერიჭამიებიდან — თხუნელა, ბიგა, კბილთეთრა, ფუღუ და სხვ.

ფრინველებიდან ენდემურია კავკ. და კასპიური შურთხი, კავკ. როჭო, კოლხური ხოხობი, შავთავა ჩხიკვი. ბევრგანაა კაკაბი, გნოლი, იშვიათად გვხვდება დურაჯი. აღმ. კ-ის ველებზე გამოსაზამთრებლად მოფრინავს სავათი და სარსარაკი. მთამაღალზე ბინადრობს მთის არწივი, ორბი, ბატკანძერი, მაღრანი, ალპ. მთიულა და სხვ.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება ხმელეთისა და წყლის კუ, გეკონები, ჯოჯო, ხვლიკები, ველის მაცრჩობელა, მცურავები, ანკარები, გიურზა, ცხვირრქოსანი გველგესლა, ენდემური კავკ. გველგესლა და სხვ.. ამფიბიებიდან — ენდემური კავკ. ბაყაყი, კავკ. ჯვრიანა, კავკ. სალამანდრა (ეკუთვნის ენდემურ გვარს) და სხვ.; წყალსატევებში ბევრია კალმახი, მურწა, წერი, შამაია, ხრამული, კობრი, ზოგან ზუთხი, ორაგული და სხვ. უხერხემლო ცხოველთაგან ბევრია ენდემური სახეობა.

დროთა განმავლობაში კ-ის ფაუნა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბევრი სახეობა მოისპო, მაგ., 10 საუკუნის წინ—ლომი და კულანი (გარეული ვირი), XVII ს-ში — ავაზა, XVIII ს-ში — თახვი და ლოსი, ხოლო XX ს. დასაწყისში — კავკ. დომბა და თურანული ვეფხვი. საბჭ. პერიოდში კ-ში აკლიმატიზებულია ნუტრია და ენოტისებრი ძაღლი, ალთაური ციყვი (ჩრდ. კ-ში), თელეუთური ციყვი, ამერ. წაულა (საქართველო, აზერბაიჯანი), ენოტი (აზერბაიჯანი.) და სხვ. *ა. ჯანაშვილი.*

ლანდშაფტები. კ-ის ლანდშაფტი მრავალფეროვანია. იმიერკავკასიის ვაკის ლანდშაფტები მიეკუთვნება ზომიერ სარტყელს, ამიერკავკასიის — სუბტროპიკულს. იმიერკავკასიის დას. და შუა ნაწილში გაბატონებულია სტეპური ლანდშაფტი, რ-ებიც სტავროპოლის მაღლობზე, კავკ. ვინერ. წყლების რ-ნში, სუნჯის ქედის დას. ნაწილსა და კავკასიონის მთისპირა ვაკეებზე ტყესტეპურ ლანდშაფტში გადადის. კარბონატული და გამოტუტული ნოყიერი შავმიწანიადაგიანი სტეპი თითქმის მთლიანად დახნულია. ტყესტეპში და კავკ. მინერ. წყლების რ-ნის მთის კალთებზე ფართოფოთლოვანი ტყეებია (წიფელი, რცხილა, მუხა, იფანი). აღმ. იმიერკავკასიაში აბზინდიანი ნახევარუდაბნოს ლანდშაფტია ღია წაბლა ნიადაგით. თერგისა და სულაკის დელტაში — ლია-ლელიანების, ჭაობისა და მდელოს ლანდშაფტებია.

მტკვარ-არაქსის დაბლობზე და აფშერონის ნ.-კ-ზე გავრცელებულია აბზინდიანი, ჭანგიანი და ეფემერული სუბტროპ. ტიპის ნახევარუდაბნოს ლანდშაფტები. აქ რუხ, მდელოს რუხ, რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე მოჰყავთ ბამბა და სხვა სარწყავი კულტურები; უხნავი მიწები საზამთრო საძოვრებადაა გამოყენებული. კოლხეთისა და ლენქორანის დაბლობებზე ნოტიო სუბტროპიკების ლანდშაფტებია. აქ ვაკის ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია და ადგილი გამოყენებულია სხვადასხვა სუბტროპ.

კულტურის პლანტაციებისა (კოლხეთში) და ბრინჯის (ლენქორანში) ნათესებისათვის. შემორჩენილია მურყნის დაჭაობებული ტყეების ფრაგმენტები, ჭაობის სუბტროპ. ლანდშაფტები. ჭაობების დიდი ნაწილი ათვისებულია.

კ-ის მთიან ლანდშაფტებში შემდეგი სიმაღლებრივი ტიპებია: კავკასიონზე— მთა-ტყის, მთა-მდელოსი და გლაციალურ-ნივალური; მცირე კავკასიონზე — მთა-ტყისა და მთა-მდელოსი; სამხრ. კ-ის ვულკ. მთიანეთზე — ვულკ. მთა-სტეპისა და მთა-მდელოსი; თალიშის მთებში — მთა-ტყისა და მთა-სტეპის. სუბტროპ. ტყიანი ლანდშაფტები გავრცელებულია 500—600 *მ* სიმაღლემდე კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და თალიშის მთების ძირას; დას. ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით აჭარა-გურიაში, ტიპობრივი სუბტროპ. ტყეებია მრავალრიცხოვანი რელიქტებით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით, ქვეტყითა და ლეშამბოთი. აღმ. ამიერკავკასიაში ქსეროფილური სუბტროპ. ტყეებია; იზრდება მთის ყავისფერ ნიადაგზე. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთებში გაბატონებულია მთა-ტყის ლანდშაფტები. ამიერკავკასიაში სუბტროპ. ტყეების ზევით მთა-ტყის ქვეშა სარტყელში (თალიშში შუა სარტყელშიც) მუხნარი და რცხილნარია, უფრო მაღლა (თალიშში შუა სარტყელშიც) — წიფლნარ-რცხილნარი. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის დას. ნაწილების ამავე სარტყელში გავრცელებულია მუქწიწვოვანი ტყეები, კავკ. ნაძვი და კავკ. სოჭი („მთის ტაიგა"), ხოლო ცენტრ. კავკასიონის ჩრდ. კალთაზე და აღმ. კავკასიონზე — ფიჭვნარი, ხშირად არყნარით. კ-ის მთის ტყეებში ჭარბობს მთის ტყის ყომრალი ნიადაგები. მთის ტყეები იძლევა ძვირფას მერქანს, იცავს ნიადაგს ეროზიისაგან და აწესრიგებს მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმს. მთის შავმიწებზე განვითარებული მთა-სტეპის ლანდშაფტი ფართოდაა გავრცელებული აღმ. კავკასიონის ჩრდ. კალთაზე (დაღესტანი), აგრეთვე სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთის მაღალ ვაკეებზე, პლატოებსა და სერებზე. კავკასიონის, მცირე კავკასიონისა და სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთის მთა-მაღალი მთის მდელოს (სუბალპ. და ალპ.) ლანდშაფტებს უკავია. ყველაზე უფრო კონტინენტურ რეგიონებში მთა-მდელოს ცვლის მდელოსტეპი. სუბალპ. სარტყლის ლიხს (მაღალბალახოვანი მდელო) იყენებენ სათიბად და საძოვრებად, ხოლო მთის მდელოთა ტორფიან ნიადაგებზე განვითარებულ ალპ. სარტყლის დაბალბალახიან მდელოებსა და ალპ. ხალებს — საზაფხულო საძოვრებად. ალპ. სარტყლის ზედა, სუბნივალურ ქვესარტყელში ნიადაგ-მცენარეული საფარი წყვეტილია, ალაგ-ალაგ კლდეები და ლოდნარია გაშიშვლებული. კავკასიონის თხემურ ზოლში, მცირე კავკასიონისა და სამხრეთ კავკასიის მთიანეთის უმაღლეს მთებზე გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტია (მყინვარები, ფირნის ველები და ჭიუხები). კ-ში გვხვდება ლანდშაფტის აზონალური ტიპებიც: კარსტული (კავკასიონის ჩრდ. კალთა, სამხრ. კალთის დას. ნაწილი), ვულკანური (იალბუზი, ხევ-მთიულეთის კავკასიონი, სამხრ. კავკასიის ვულკ. მთიანეთი), ტალახიანი ვულკანებისა (აფშერონისა და ტამანის ნ.-კ-ები) და სხვ.

ბუნებრივი ლანდშაფტები დაცულია აჯამეთის, ბაბანეურის, ბაწარის, ბორჯომის, ვაშლოვნის, დილიჯანის, ზაქათალის, ლაგოდეხის, კ-ის, თებერდის, რიწის, ბიჭვინთის, ს. კიროვის სახ. ყიზილაღაჯის და სხვა ნაკრძალებში.

კ. სსრკ-ის ერთ-ერთი ძირითადი საკურორტო რ-ნი და ტურიზმისა და ალპინიზმის ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. კ-ის ტერიტორიაზეა *კავკასიის მინერალური წყლები* და შავისზღვისპირა კურორტების დიდი ჯგუფი ანაპიდან ბათუმამდე.

კ-ის სახ. მეურნ. შესახებ იხ. შესაბამისი თავები სტატიებში: *აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ, კრასნოდარის მხარე, სტავროპოლის მხარე, დაღესტნის ასსრ, ჩრდილო ოსეთის ასსრ, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ.*

ლიტ.: მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1 — ბუნებრივი პირობების შესწავლის ისტორია, ობ., 1975; Г в о з д е ц к и й Н. А., Кавказ, М., 1963; Г у л и с а ш в и л и В. З., Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, М., 1964; Кавказ, М., 1966; М и л а н о в с к и й Е. Е., Х а и н В. Е., Геологическое строение Кавказа, М., 1963.

ლ. მარუაშვილი.

მოსახლეობა. ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი უ რ ი შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა. კ-ის უძველეს მოსახლეობაში ძირითადად გამოიყოფა ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, რასობრივი ტიპი. ერთი, რ-საც *ხმელთაშუაზღვისპირულ რასას* აკუოვნებენ, მოიცავს იბერკავკასიის ზოგიერთ დაბლობ რ-ნსაც (მაგ., ყუბანის რეგიონი). მას ახასიათებს ვიწრო და გრძელი თავი, ძალზე ვიწრო, მაღალი და მკვეთრად პროფილირებული სახე, დახვეწილი ყვრიმალი, ვიწრო და მკვეთრად გამოხატული ცხვირი, გლუვი რელიეფი და სხვ. ამ ტიპის თანადროულად ჩრდ. კ-ის დაბლობ რ-ნებში გავრცელებული იყო მისგან მკვეთრად განსხვავებული ტიპი, რ-საც ახასიათებდა ზომიერი სიგრძისა და სიგანის თავი, ფართო და ნაკლებპროფილირებული სახე, ზომიერად გამოხატული ყვრიმალი და სხვ.

კ-ის თანამედროვე მოსახლ. ანთროპოლ. შემადგენლობაში ძირითადად გამოყოფენ სამ დიდ რასობრივ ტიპს. კ-ის ჩრდ.-დას. ტერიტორიაზე გავრცელებულია *ადიღური ანთროპოლოგიური ტიპი,* ამ ტიპისაგან მუქი პიგმენტაციითა და ზოგიერთი სხვა ნიშნით განსხვავდება კ-ის კასპიისპირეთში გავრცელებული დ ა ს ა ვ ლ უ რ-კ ა ს პ ი უ რ ი ტ ი პ ი. იგი გვხვდება აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებში. ამ ტიპის ანალოგიური ფორმები შეინიშნება შუა აზიის, ავღანეთისა და ჩრდ. ინდოეთის ევროპეოიდულ მოსახლეობაში. აქ იგი ცნობილია ინდოხმელთაშუაზღვისპირული რასის ინდოპამირული განშტოების სახელით. მესამეა ცენტრ. კ-ში მცხოვრები წ ი ნ ა ა ზ ი უ რ ი ტ ი პ ი, რ-საც ახასიათებს მკვეთრად ბრაქიკეფალური თავი, საკმაოდ ფართო, მაგრამ მკვეთრად პროფილირებული სახე, ვიწრო, მაღალი და მკვეთრად გამოხატული ცხვირი, უნაგად განვითარებული თმოვანი საფარველი და სხვ. ეს ტიპი გავრცელებულია თანამედროვე ქართველებში, სომხებში, დას. აზერბაიჯანელებსა და დაღესტნელებში, კ-ის მთიელთა ჯგუფებში და სხვ. მისი ანალოგიები წინა აზიის თანამედროვე მოსახლეობაში გვხვდება.

კ-ის თანამედროვე მოსახლეობაში საკმაოდ გარკვევითაა გამოხატული ლოკალური ქვეტიპები, რ-ებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მ. აბდუშელიშვილი.

ეთნიკური შემადგენლობა. კ-ში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რ-ებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ (კავკასიურ), ინდოევრ. და ალთაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე.

იბერიულ-კავკ. ენათა ოჯახში შედის ქართველურ, აფხაზურ-ადიღურ, ნახურ და დაღესტნურ ენათა ჯგუფები. იბერიულ-კავკ. ენათა ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხია *ქართველები* (3433 ათ. კაცი, 1979), ისინი ცხოვრობენ კავკასიონის შუა ნაწილის სამხრ. კალთებზე. ამ ოჯახის ენებზე მოლაპარაკე ყველა სხვა ხალხი, აფხაზების გარდა, განსახლებულია კავკასიონის ჩრდ. კალთებზე. აფხ.-ადიღურ ჯგუფში შედიან წარმოშობით მონათესავე *ადიღეელები* (1970 მიხედვით, 100 ათ. კაცი, ადიღეს აო და კრასნოდარის მხარის მეზობ- ... ენ-ნები), *ჩერქეზები* (40 ათ. კაცი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო) და *ყაბარდოელები* (280 ათ. კაცი, ყაბ.-ბალყ. ასსრ დაბლობი ნაწილი და ჩრდ. ოსეთის ასსრ მოზდოკის რ-ნი), აგრეთვე *აფხაზები* (83 ... ათ. კაცი, აფხ. ასსრ და აჭარის ასსრ) და *აბაზები* (25 ათ. კაცი, ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო ჩრდ. ნაწილი). ნახურ ჯგუფში შედიან *ჩაჩნები* (613 ათ. კაცი, ჩაჩნ.-ინგ. ასსრ აღმ. და ცენტრ. რ-ნები და დაღ. ასსრ ხასავიურთის რ-ნი) და *ინგუშები* (150 ათ. კაცი, ჩაჩნ.-ინგ. ასსრ დას. რ-ნები და მი... სი მომიჯნავე ჩრდ. ოსეთის ასსრ რ-ნები). ... ენობრივად ამავე ჯგუფს უკავშირდებიან ... ბაცბები ანუ წოვათუშები (საქ. სსრ ახმეტის რ-ნი), თუმცა კულტურულ-ისტორიულად, რელიგიურად, ყოფითა და სხვა ძირითადი ნიშნების მიხედვით ისინი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. დაღ. ხალხთა დიდი უმრავლესობა შედის დაღ. ჯგუფში, რ-იც შედგება 4 ქვეჯგუფისაგან: ხუნძური, დარგუული, ლაკური და ლეზგიური. ხუნძურ ქვეჯგუფში (39... ათ. კაცი, მთიანი დაღესტნისა და აზერბ. სსრ ჩრდ.-დას. რ-ნები) *ხუნძების* გარდ... შედიან მათთან თითქმის შერწყმული მცი... რერიცხოვანი ანდიურ-დიდოური (ცეზუ... რი) ხალხები (ანდიელები, ბოთლიხელები, ღოლობერიელები, ჭამალალები, კვა... დელები, ტინდიელები, ყარადაღელები, ... ახვახელები, ცეზები, ჰინუხები, ხვარში... ლები, ბეჟიტელები, ჰუნზიბელები), აგრ... თვე *არჩიბელები.* დარგულ ქვეჯგუფში (231 ათ. კაცი, შუა დაღესტნის მთიანი... და მთისპირა რ-ნები) *დარგუელთა* გარდ... შედიან *ხაიდაყელები* და *კუბაჩელები. ლ... კები* (86 ათ. კაცი) ცხოვრობენ ცენტრ. დაღ... მთებში. ლეზგიურ ქვეჯგუფში შედიან *ლ... ზგები* (324 ათ. კაცი, დაღ. ასსრ სამხრ... აღმ. და აზერბ. სსრ ჩრდ. რ-ნები), *თაბ... სარანელები* (55 ათ. კაცი, სამხრ.-აღ... დაღესტანი, დერბენტის დას-ით), *აღ... ლეები* (8,8 ათ. კაცი, დაღ. სამხრ.-აღმ. ... ღალმთიანი ნაწილი), *რუთულელები* (... ათ. კაცი, სამხრ. დაღესტანი, მდ. სამგრ... ზემო დინება), *წახები* (11 ათ. კაცი, ... რუთულელების დას-ით), მათვე განეკ... თვნებიან ჩრდ. აზერბ. მცირერიცხოვა... ხალხები: *უდიები,* ბუდუხები, *კრიწე...* და *ხინალუღები.*

კ-ში მცხოვრებ ხალხთაგან ინდოევ... ენათა ოჯახში შედიან *რუსები, უკრაინ... ლები, სომხები* და ირანის ჯგუფის ხა... ხები. რუსები (დაახლ. 8 მლნ. კაცი) ცხო... რობენ სტავროპოლისა და კრასნოდარ... მხარეებში, აგრეთვე კ-ის ყველა მოკავშირ... და ავტონ. რესპუბლიკაში; უკრაინელ... (300 ათ. კაცზე მეტი) — კრასნოდარ... მხარეში. ჩრდ. კ-ის რუსი და უკრ. მოსახ... მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ყუ... ნისა და თერგის კაზაკები. ინდოევრ. ოჯ... ხის ცალკე ჯგუფია სომხები (3559 ათ. ... ცი); შეადგენენ სომხ. სსრ ძირითად მ... სახლეობას (88,6%), ცხოვრობენ აგრ... ვე მთიანი ყარაბაღის აო-ში, საქართველ... ში (უმთავრესად ახალციხისა და ახალ... ლაქის რ-ნებში) და კ-ის ქ-ებში. ამ... ოჯახის ირანულენოვან ჯგუფს განეკუთ... ნებიან *ოსები* (488 ათ. კაცი, ჩრდ. ოსეთ... ასსრ და სამხრ. ოსეთის აო), *ქურთები* (... ათ. კაცი, სომხ., საქ , აზერბ. სსრ-ები), ... *თები* (17 ათ. კაცი, აზერბ. სსრ ჩრდ.-აღ... და დაღ. ასსრ სამხრ. ნაწილი), თათ... ენაზე მოლაპარაკე მთის ებრაელები (და... ასსრ და აზერბ. სსრ), *თალიშები* (აზერ... სსრ სამხრ.-აღმ. ნაწილი).

ალთაური ოჯახის თურქ. ჯგუფის ენ... ზე ლაპარაკობენ *აზერბაიჯანელები* (48... ათ. კაცი, აზერბ. სსრ, შეადგენენ მოსახ... 73,8% და საქ. სსრ, სომხ. სსრ, დაღ. ას... მოსაზღვრე რ-ნები); ერთმანეთთან ახლ... მონათესავე *ყარაჩაელები* (113 ათ. კაც... ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო სამხრ. მთი... რ-ნები) და *ბალყარები* (60 ათ. კაცი, ყ... ბალყ. ასსრ სამხრ. და სამხრ.-დას. რ-ნებ...

ომუხლები (189 ათ. კაცი, დაღ. ასსრ დაბ-ლობი ნაწილი, მცირე რაოდენობით — აჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდ. ოსეთის ასსრ-ში), *ნოღაელები* (52 ათ. კაცი, სტავროპოლის მხარე და დაღ. ასსრ), *თათრები* (დაახლ. 32 ათ. კაცი, აზერბ. სსრ ქ-ები), კავკასიის თურქმენები (დაახლ. 5 ათ. კაცი, სტავროპოლის მხარის აღმ. და ჩრდ.-ღმ. რ-ნები). ქ-ში მცირე ჯგუფებად ცხოვრობენ ბერძნები, ასურელები, მოლდაველები, ესტონელები, მორდველები, კორეელები, ბოშები. ქ-ის მორწმუნე მოსახლ. უმრავლესობა ქრისტიანობას აღიარებს. ართლმადიდებლები არიან: რუსები, უკრაინელები, ოსების ძირითადი ნაწილი, ართველებისა და აფხაზების უმრავლეობა, მოზდოკის ყაბარდოელები; მონოზიტები — სომხები (იხ. *სომხური სამოციქულო ეკლესია*); დანარჩენი ხალხების

დი ნაწილი მუსლიმანები იყვნენ, მ. შ. ჩეკების მცირე ნაწილი — შიიტები; სხვები და ნაწილობრივ აფხაზები, ოსები და ართველები (აჭარლები და ინგილოები)— ენიტები; ქართვ. და მთიელი ებრაელები აღიარებდნენ იუდაიზმს.

ლიტ.: Абдушелишвили М. Г., Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964; Бунак В. В., Антропологический состав населения Кавказа, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1947, ტ. 13А; Народы Кавказа, т. 1—2, М., 1960—62.

ისტორიული ცნობა. სსრკ ტერიტორიაზე ქ. ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი ბინადრო რ-ნია. ძვ. წ. I ათასწლ. I ნახევარში ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა თანამედროვე სსრკ ტერიტორიაზე პირველი ნათმფლობელური სახელმწიფო *ურარტუ*. ეგვიანებით შეიქმნა კოლხეთის (ძვ. წ. II ს.), აირარატისა (ძვ. წ. IV ს.) და *იბერიის* (ძვ. წ. IV—III სს.) სამეფოები. ძვ. წ. ს-ში წარმოიშვა კავკასიის აღმანთი- და დიდი სომხეთის სახელმწიფოები. არაერთხელ გამხდარა მომთაბარეთა (სკვითები, სარმატები, ალანები და ვ.) თავდასხმის ობიექტი. ახ. წ. I ათასწლეულში კი იგი ბიზანტიასა და ირანს შორის ხანგრძლივი ომის ასპარეზად გადაიქცა. ამავე ათასწლეულის შუა ნებში ქ-ში დამკვიდრდა ფეოდ. ურთიერობა, გავრცელდა ქრისტიანობა. VII—III სს-ში ამიერკავკასია არაბებმა დაიერეს. არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან ბიზანტიელებთან გამუდმებული თავცვითი ომების პირობებში ჩამოყალიბ- ორი მსხვილი სახელმწიფო — სომხეთი საქართველო. X ს-იდან დაწინაურდა ქართველო, რ-მაც XII—XIII სს-ში ქ-ში ულ ჰეგემონობას მიაღწია. XIII ს-ში დაიპყრეს და ააოხრეს მონღოლებმა. IV—XV სს-ში საქართველოსა და სომთს გამუდმებით ესხმოდნენ თავს უცხო- ი დამპყრობლები (საქართველო დი- დ დაზარალდა ჯალალედინის და, განკუთრებით, თემურლენგის მრავალგზის მოსვლის შედეგად); XV ს-ში აზერბაიჯანშეიქმნა თურქ. სახელმწ. წარმონაქმნები. ჩრდ. ქ-ის ხალხები დიდხანს იყვნენ ნღოლ-თათართა ბატონობის უღელეში; მათი ცხოვრების განვითარების დონ- დაბალი იყო და XIX ს-მდე პატრიარლურ-ფეოდ. ნიშნებს ატარებდა. XVI დან სომხეთი და საქართველო ირან-ოსმ. ების ასპარეზად გადაიქცა. ეს ომები რითადად განაპირობებდა XVI—XVIII ში ქართვ. და სომეხი ხალხების განთარების ხასიათს. XVI ს. II ნახევარში დ. ქ-ში გაჩნდა რუს. ახალშენები და ციმგრეები (თერგის, სუნჟისა და სხვ.). III ს. I ნახევარში რუსეთი შესამჩნევ გააქტიურდა (იხ. *სპარსეთის ლაშქრობა 1722—23*), მაგრამ ქ-ში ფეხი მტკიდ მან მხოლოდ ამ საუკუნის II ნახევარ- მოიკიდა. ამ დროს დაარსდა ქალაქები ხლარი, მოზდოკი, ვლადიკავკაზი, შენა კავკასიის გამაგრებული ხაზი, რუის შემადგენლობაში შევიდა ყაბარდო და ჩრდ. ოსეთი, ქართლ-კახეთის სამეფოსთან დიდო მფარველობის ხელშეკრულება (იხ. *გეორგიევსკის ტრაქტატი 1783*). დაიწყო *საქართველოს სამხედრო გზის* მშენებლობა. მიუხედავად ჩრდ. ქ-ის მოსახლეობის წინააღმდეგობისა (შეიხ მანსურის აჯანყება 1785, ნოღაელთა და ყაბარდოელთა აჯანყება 1778), რუს. ცარიზმმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ქ-ში. 1795 საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას შედეგად მოჰყვა რუს. არმიის ლაშქრობა სპარსეთში 1796 წ. 1801 აღმ. საქართველო რუსეთს შეუერთდა. XIX ს-ში რუს.-ირან. და რუს.-ოსმ. ომების შედეგად რუსეთმა შეიერთა აზერბაიჯანი, სომხეთი, დას. საქართველო. ამიერკავკასიაში შეიქმნა საქართვ. გუბ. (1801) და იმერეთის გუბ. (1811, 1840 გაერთიანდა საქართველო-იმერეთის ოლქად, 1846 გაიყო თბილ. და ქუთ. გუბერნიებად), სომხეთის ოლქი (1828, 1849 — ერევნის გუბ.). ქ-ის რეგიონში შედიოდა აგრეთვე ჭარ-ბელაქნის (1860 — ზაქათალის) ოლქი, შემახის (1859 — ბაქოს) გუბ., სტავროპოლის გუბ., დაღ. ოლქი. 1844 შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო (ცენტრი — თბილისი).

ქ. რუსეთის იმპერიის უმსხვილესი განაპირა ადმინ. და სამხ.-პოლიტ. პროვინცია იყო, რ-ის სათავეში 1844-იდან მეფისნაცვალი (наместник) იდგა. იმპერატორსა და მეფისნაცვალს შორის შუამავალი ინსტანციის ფუნქციას ასრულებდა კავკასიის (ადრე ამიერკავკასიის) კომიტეტი. ის განიხილავდა ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხს, რ-საც საბოლოოდ უმართებულესი სენატსა და მეფის დასტური უნდა მიეღო. ჩვეულებრივ *კავკასიის კომიტეტს* სათავეში ედგა მინისტრთა კომიტეტის თავ-რე.

მეფისნაცვლებად ინიშნებოდნენ დიდი სამხ.-პოლიტ. მოღვაწეები, ზოგჯერ თვით მეფის ოჯახის წევრები (მიხეილ რომანოვი, 1862—88; ნიკოლოზ რომანოვი, 1915—17). გარდა იმისა, რომ მეფისნაცვალი ფლობდა სამოქალაქო მმართველის თითქმის შეუზღუდველ უფლებებს, ის კავკასიის არმიის (ცალკე კორპუსის) მთავარსარდალი და კავკასიის კაზაკთა ჯარების ატამანიც იყო. ადგილობრივ მკვიდრთაგან მხოლოდ ცნობილი სარდალი და პოეტი გ. ორბელიანი იყო მეფისნაცვლის მოვალეობის დროებით შემსრულებელი (1859—65, ხანგამოშვებით). მეფისნაცვლის სამხ.-პოლიტ. თუ სამოქალაქო გამგებლობის მთავარი ორგანოები იმყოფებოდა თბილისში, რ-იც 1801-იდან თანდათან გადაიქცა მთელი ქ-ის არა მხოლოდ სამხ.-პოლიტ., არამედ ეკონ. და კულტ. ცენტრად. იხილავდა რა რუსეთის საერთაშორისო ვითარებას, 1865 კ. მარქსი წერდა, რომ საქართველო „წარმოადგენს რუსეთის პოლონეთს კავკასიაში“,... ხოლო „თბილისი აზიაში რუსეთის ბატონობის ცენტრსო“ (Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 2, с. 630).

ქ-ის მეფისნაცვლები იმპერატორისადმი მიმართვებში დაუფარავად აღნიშნავდნენ, რომ ქ-ის დაპყრობასა და აქ რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებაში განსაკუთრებული დამსახურება ავტოქთონთა შორის მეუღლოდა ყველაზე მაღალი კულტურის მქონე ქართველ არისტოკრატიას. იმპერატორიც ახალ-ახალ ჩინებს, წოდება-ტიტულებსა თუ ქონებას არ იშურებდა მისთვის.

ქ-ის მხარე შეიცავდა ვრცელ ტერიტორიას — 1361,6 ათას კვ. ვერსს. 1915 წ. ინვრისათვის აქ ცხოვრობდა დაახლ. 11,5 მლნ. კაცი.

ცარიზმის კოლონიზაციური პოლიტიკის შედეგად ღრმა ცვლილებები მიმდინარეობდა ქ-ის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. ასე, მაგ., ამიერკავკასიაში ქართველები შეადგენდნენ (პროცენტობით) 1800 წ. — 43,0; 1832 წ.— 38,4; 1865 წ. — 35,6; 1886 წ. — 30,7; 1897 წ.— 28,8; აზერბაიჯანელები: 1800 წ. — 42,6; 1832 წ. — 37,9; 1865 წ. — 34,9; 1886 წ. — 33,3; 1897 წ.—32,0. მეორე მხრივ, შესამჩნევად გაიზარდა სომხების რაოდენობა, გაჩნდა ახალი (რუსების, გერმანელთა და სხვ.) ეროვნული ჯგუფები.

როგორც საგუბერნიო და საოლქო სამმართველოები, ასევე თვით მეფისნაცვალს უშუალოდ დაქვემდებარებული დარგობრივი დაწესებულებები, მთელი ბიუროკრატიული აპარატი, მოწოდებული იყო მტკიცედ გაეტარებინა ცარიზმის დამპყრობლური კოლონიური პოლიტიკა, რაც გულისხმობდა აბორიგენული მოსახლეობის („ტუზემცების“) ეროვნულ და ტომობრივ თავისებურებათა, მ. შ. ენის, ზნე-ჩვეულებათა და საერთოდ თვითმყოფი კულტურის თანდათანობით მოვიწყებას. ეს

კავკასიის მოსახლეობა და ტერიტორია

ადმინისტრაციული ერთეულები	ტერიტორია ათასი კვ. ვერსი	მოსახლეობა ათასობით		მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. ვერსზე 1915 წ.
		1897 აღწერით	1915 ადმინისტრაციული ცნობით	
ამიერკავკასია				
ბაქოს გუბერნია	33,4	714,8	826,0	24,7
ქალაქი ბაქო	0,9	111,9	406,5	451,7
ბათუმის ოლქი	6,1	144,6	84,6	13,9
დაღესტნის ოლქი	26,1	571,2	706,4	27,1
ელიზავეტპოლის გუბერნია	38,9	878,4	1243,5	32,0
ზაქათალის ოკრუგი	3,5	84,2	79,6	22,7
ყარსის ოლქი	16,5	290,7	255,5	15,5
ქუთაისის გუბერნია	18,5	807,5	1057,5	57,2
სოხუმის ოკრუგი	5,8	106,2	198,6	34,2
თბილისის გუბერნია	35,9	966,8	1401,6	39,0
შავი ზღვის ოკრუგი	5,9	57,5	159,1	27,0
ერევნის გუბერნია	23,2	829,6	1065,9	45,9
ჯამი	214,7	5563,4	7484,8	34,9
იმიერკავკასია				
ყუბანის ოლქი	83,3	1918,9	2598,2	31,2
თერგის ოლქი	63,6	932,3	1366,2	21,5
ჯამი	146,9	2851,2	3964,4	27,0
სულ კავკასიაში	361,6	8414,6	11449,2	31,7

§ სტავროპოლის გუბ. გამოკლებით, რ-იც 1915 უკვე არ შედიოდა კავკასიის სამეფისნაცვლოში.

პოლიტიკა განუბრელად ტარდებოდა ცხოვრებაში, განსაკუთრებით ისეთი დაწესებულებების მეშვეობით, როგორიც იყო კავკასიის სასწავლო ოკრუგი, სტატისტიკური კომიტეტი, საცენზურო კომიტეტი და სხვ., რ-ებიც ოფიციალურად მოწოდებულნი იყვნენ ეზრუნათ ქ-ის ევროპეიზაციის, ე. ი. ახალ, მაღალ კულტურულ საფეხურზე აყვანისათვის. ცარიზმის კოლონ. პოლიტიკას მოჰყვა შედეგად *კავკასიის ომები (1817—64)*.

მეორე მხრივ, მიმდინარეობდა ბუნებრივი სიმდიდრის მტაცებლური ძარცვა და მოსახლეობის ძირითადი მასების კოლონიური ექსპლუატაცია. კერძო თუ კორპორაციულ განძეულობას, მიწას, წიაღისეულსა და სხვ. სიმდიდრეს იმპერიის ხაზინა და მაღალი სამხედრო თუ სამოქალაქო ბიუროკრატია ითვისებდა. ამგვარ ექსპლუატაციას ცარიზმი კაპიტალისტური მეწარმეობის — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების, ყაჩაღური, დიფერენციული საგადასახადო, საკაციო, სატარიფო სისტემების და სხვა გზით, აგრეთვე შიდა რუსეთის მრეწველობის ნაკეთობათა განსაკუთრებულ ბაზრად ქ-ის გადაქცევის გზით აღწევდა.

მაგრამ ამ მოვლენებს ჰქონდა მეორე მხარეც. კარჩაკეტილ ფეოდ. ურთიერთობათა და რუტინული ყოფის მოსპობით ნატურალური მეურნეობის ადგილს იკავებდა საქონლური წარმოება, ვითარდებოდა კაპიტალ. მეწარმეობა. ვაჭრობის, მრეწვე-

ლობის, ტრანსპორტისა და საქალაქო ცხოვრების განვითარებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობისა და საერთოდ კ-ის კულტ.-ეკონ. ცხოვრების აღმავლობა. შეიქმნა და გამრავლდა სასწავლებლები, თეატრები, ბეჭდვითი ორგანოები. ხსენებულ მოვლენათა ფონზე ვითარდებოდა რუსეთის იმპერიის, და, კერძოდ, კ-ის ხალხებს შორის მეგობრული და კულტ. კავშირი, რაც წამყვან როლს თამაშობდა რუსეთის პროგრ. ინტელიგენცია.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, განსაკუთრებით 1880—90-იანი წწ-იდან, რუსეთის კაპიტალიზმმა კ. ჩაითრია მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში და ამით იგი აზიარა მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს. ამ ასპექტში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ფოთი—თბილისისა (1872) და ბათუმ—თბილისი—ბაქოს (1883) რკინიგზების დაკავშირება და მერმე ამ მაგისტრალის რუსეთის რკინიგზის ქსელში ჩართვა; ბაქოს ნავთობის (1901 მსოფლიო მოპოვების 50%) და ჭიათურის მანგანუმის (1900 მსოფლიო მოპოვების 46% და ექსპორტის 47%) მრეწველობის განვითარება; ბაქო—ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, ბათუმის ნავთობის გადამუშავებისა და საექსპორტო ოპერაციების აღმავლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინის დახასიათებით, რუსეთის იმპერია „ხალხთა საპყრობილეს" წარმოადგენდა, განვითარების გზაზე შემდგარმა რუსეთის სამრეწველო პროლეტარიატმა, რ-ის ერთ-ერთ რაზმს წარმოადგენდა კ-ის მუშათა კლასი, შესაძლებელი გახადა მეგობრულ და კულტურულ ურთიერთობათა ფართო მასშტაბით განვითარება. ამისი დასტური იყო, უწინარეს ყოვლისა, საქართვ. ს.-დ. ორგანიზაციების მოღვაწეობა საქართველოსა („მესამე დასი", — 1892) და ბაქოში (ბაქოს კომიტეტი 1901) და, ბოლოს კავკასიის ს.-დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის I ყრილობის მოწვევა (1903).

1900-იანი წლებიდან რევ. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო მთელ კ-ში და 1905 რევოლუციის პერიოდში ის მოედო არა მხოლოდ ისეთ სამრეწველო ცენტრებს, როგორიც იყო ბაქო, თბილისი, ბათუმი, ჭიათურა, არამედ სოფლებსაც. ამ დროს კ-ის მუშათა კლასი უკვე რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის რეაქციული ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ მის მოსახლეობაში ნაციონალური შუღლის გაღვივებას. კ-ის მუშათა კლასი და მშრომელი ინტელიგენცია ასეთ ვითარებაშიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

როდესაც ცარიზმის სატრაპებმა კ-ში მოახერხეს სომხებსა და აზერბ. შორის გაეჩაღებინათ დაუნდობელი სისხლისმღვრელი შეტაკებები („სომეხ-თათართა ჟლეტა"), ქართვ. მშრომელმა ინტელიგენციამ შეძლო რეალური, გადამწყვეტი ზომები მიეღო ფანატ. ბნელი ძალების ასალგამავად და მხარეთა მოსარიგებლად.

1914—18 მსოფლიო ომში კ. საომარი მოქმედების ასპარეზი იყო. გერმანიის მოკავშირის — ოსმალეთის წინააღმდეგ შეიქმნა კ-ის ფრონტი, რ-ის ჯარებმა 1915—16 რამდენჯერმე დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ომის დროს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა დაკარგეს წამყვანი პოზიციები. 1917 თებ. რევ. შემდეგ კ-ში შექმნილ საბჭოებში უმრავლესობა მოიპოვეს მენშევიკებმა, ესერებმა და ბურჟ. ნაციონალისტებმა. 1917 თბილისში შეიქმნა ბურჟ. *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი* — ბურჟ. დროებითი მთავრობის სამხარეო ორგანო. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ეს კომიტეტი გადაიქცა *ამიერკავკასიის კომისარიატად*, რ-მაც ამიერკავკ. „დამოუკიდებლობა" გამოაცხადა. მას დაუპირისპირდა კ-ის ბოლშევიკების I სამხარეო ყრილობაზე შექმნილი პარტიის კ-ის სამხარეო კომიტეტი. 1918 წ. 22 თებ. *ამიერკავკასიის სეიმმა* ჩამოაყალიბა ბურჟ.-ფედერ. რესპუბლიკა, რ-იც უკვე მაისში დაიშალა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ცალკეულ ბურჟ. რესპუბლიკებად, რ-თა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ სომეხი დაშნაკები, აზერბ. მუსავატელები და ქართვ. მენშევიკები. 1918 აპრ. ჩამოყალიბებული *ბაქოს კომუნა* 31 ივლ. დაეცა. ამიერკავკ. რესპუბლიკების მესვეურებმა თავისი ბედი გერმ., თურქ. და ინგლ. ინტერვენტებს დაუკავშირეს.

ჩრდ. კ-ში საბჭ. ხელისუფლებამ 1918 დასაწყისში გაიმარჯვა. შეიქმნა საბჭ. რესპუბლიკები (იხ. *ყუბან-შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა, თერგის საბჭოთა რესპუბლიკა, სტავროპოლის საბჭოთა რესპუბლიკა*), რ-ებიც 1918 ივლისში *ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკაში* გაერთიანდნენ და შევიდნენ რსფსრ შემადგენლობაში. 1919 დამდეგს თეთრგვარდიელებმა (გენ. ა. დენიკინი) შეძლეს ჩრდ. კ-ში ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ 1920 დასაწყისში წითელმა არმიამ გაანადგურა ისინი და აღადგინა საბჭ. ხელისუფლება.

1920 აპრ. წითელი არმია შევიდა აზერბაიჯანში აჯანყებული მშრომელების დასახმარებლად. 28 მაისს გამოცხადდა აზერბ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1920 ნოემბერში სომეხმა მშრომელებმა წითელი არმიის დახმარებით დაამხეს დაშნაკთა ძალაუფლება და 29 ნოემბ. გამოაცხადეს სომხ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1921 თებ. საქართველოში დაიწყო მშრომელთა აჯანყება, მათ დახმარებისათვის მიმართეს საბჭ. რუსეთს. ქართვ. მშრომელებმა და წითელმა არმიამ განდევნეს მენშევიკები და 25 თებ. შეიქმნა საქართვ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა, რ-შიც შევიდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები და ბათუმის ოლქის ნაწილი, რ-ის ტერიტორიაზე 1921 ივლ. შეიქმნა აჭარის ავტონ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა. 1921 მარტში სოხუმის ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა აფხ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკა, რ-იც დეკ-ში შევიდა საქ. სსრ შემადგენლობაში და 1931 თებ. გარდაიქმნა აფხ. ავტონ. საბჭ. სოციალ. რესპუბლიკად. 1922 აპრილში საქ. სსრ შემადგენლობაში ჩამოყალიბდა სამხრ. ოსეთის აო.

1922 წ. 12 მარტს ამიერკავკ. ხალხები გაერთიანდნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში (იხ. *ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა*), რ-იც იმავე წლის 30 დეკ. შევიდა სსრკ-ში. 1936 ამიერკავკ. ფედერაციამ შეწყვიტა არსებობა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი მოკავშირე რესპუბლიკების უფლებით უშუალოდ შევიდნენ სსრკ-ის შემადგენლობაში. 1921 რსფსრ შემადგენლობაში ჩამოყალიბდა მთიელთა ავტონ. სსრ და დაღ. ავტონ. სსრ. 1922 ყუბან-შავი ზღვის ოლქის ტერიტორიაზე შეიქმნა ადიღეს აო, მთიელთა ასსრ-ს (გაუქმდა 1924) გამოეყო ყაბარდოს აო (1921 წ., 1922 დაერქვა ყაბ.-ბალყ. აო), ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო (1922; 1926 დაიყო ყარაჩაის აო-ად და ჩერქეზეთის ნაციონალურ ოკრუგად; 1928—ჩერქეზეთის აო), ჩაჩნეთის აო (1922) და ინგუშეთის აო (1924; 1934 გაერთიანდნენ ჩაჩნ.-ინგ. აო-ად); ჩრდ. ოსეთის აო (1924).

1924 ჩრდ. კ., დაღ. ასსრ-ის გარდა, შევიდა რსფსრ სამხრ.-აღმ. ოლქში, რ-საც იმავე წელს ეწოდა ჩრდ. კავკასიის მხარე. მისი ტერიტ. (7 აო-ის გარდა) დაიყო 14 ოკრუგად (მ. შ. 10 ჩრდ. კ-ში: არმავირის, ყუბანის, მაიკოპის, სალსკის, სტავროპოლის, სუნჯის, თერგის, შავი ზღვის, ქ-ები გროზნო და ვლადიკავკაზი ოკრუგების უფლებით; დანარჩენი — დონისპირეთში). 1930 ოკრუგები გაუქმდა. 1934 ჩრდ. კავკასიის მხარეს გამოეყო აზოვისა და შავი ზღვის მხარე, რ-იც 1937 დაიყო კრასნოდარის მხარედ და როსტოვის ოლქად. სსრკ 1936 კონსტიტუციის მიხედვით, 3 აო გარდაიქმნა: ყაბ.- ალყ. ასსრ-დ, ჩრდ. ოსეთ ასსრ-დ და ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-დ. 1937 ჩრ კავკასიის მხარეს ეწოდ ორგანიკიძ ხოლო 1943 — სტავროპოლის მხარე.

ომამდელი ხუთწლეულების მანძილზ 1929—40, კ-ის ხალხებმამიაღწიეს მრეწ სხვადასხვა დარგების, ელექტრიფიკაციი სოფლის მეურნეობის, კულტურის განვ თარების მაღალ დონეს. სოციალ. ინდუ ტრიალიზაციამ, სოფ. მერნ. კოლექტივ ზაციამ და კულტ. რევოლუციამ ძირფესვ ანად შეცვალა კ-ის ხალხების ცხოვრებ ფრავალი მათგანი ჩამოყალიბა სოციალ ერად.

დიდი სამამულო ომის პერიოდში კ-შ მიმდინარეობდა დიდი მიშველობისა მასშტაბების ბრძოლები (იხ. *კავკას ისათვის ბრძოლა 1942-43*). 1944 ყაბ ბალყ. ასსრ გარდაიქმნა ყბარდოს ასსრ-ად გაუქმებული ჩაჩნ.-ინგ. ასსრ-ის ნაცვლ წარმოიშვა გროზნოს ოლქი, ყარაჩაელ აო ის ნაწილი შეუერთდ ჩერქეზთა აო- მეორე ნაწილი — კი აჯ. ასსრ-ს. 19 კვლავ შეიქმნა ყაბ.-ბალყ. და ჩაჩნ.-ინ ასსრ-ები, ხოლო ჩერქეზთა აო გარდა მნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო-ად.

რუკა — იხ. ჩანართი გვ. 384 — 3
ილუსტრაცია—იხ. ჩანარი, გვ. 336—3

ს. ზალესკი. კ. გუგუშვილ

კავკასიელთა ფრე, რევოლუციურ-ხა ხოსნური ორგანიზაცია (1871—74). წრ ხელმძღვანელები იყვნეი ე. *ოსელიანი* ; ო. კანონოვა. წრეში ირიცხებოდა 59 ა გაზრდა. კ. ფ-ის წევრებს შორის იყვ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელ ბი, ოსები, პოლონელები, რუსები და ს კავკ. ეროვნების წარმოადგენლები. თა ანთი შეხედულებით კ. ფ-ის წევრები ბა ნინის მიმდევრები იყვნენ 1874 გაზაფხუ ზე ისინი მასობრივად გავიდნენ ხალ და გაშალეს პროპაგანდ. გლეხთა ასაჯ ყებლად. კ. ფ-ის წევრები თანაუგრძნ დნენ ეროვნ. თავისუფლების იდეას. ნი რევ. გამარჯვებაში ხედავდნენ ჩაგ ლი ერების განთავისუფლების გარანტ ამიტომ თავიანთი პროპაგანდის არ მოაქციეს მალოროსია და კავკასია. სეთში რევ. გამარჯვებისათვის დიდ დებს ამყარებდნენ გააპირა მხარეებ ხალხთა აჯანყებაზე. 1874 წ. 28 მა შეკრებაზე კ. ფ-ის წევრებმა საგანგებ იმსჯელეს პოლონეთსა და მალოროსი მოსალოდნელ აჯანყებაზე და მიი გადაწყვეტილება უკრ.-ინაში თავიან პროპაგანდისტების გაგზავნის შესა როგორც საერთოდ ,ალხში გასვლ ისე ამ წრის პროპაგანდაც მარცხით დ თავრდა. ჟანდარმერიამ კ. ფ-ის წევრ დააპატიმრა. კვლევა-ძიება 2 წელიწ მიმდინარეობდა. 1876 წ. 19 თებ. კ. ფ წევრები ადმ. წესით დასაჯეს. ვ დაპატიმრებას გადაურჩა, რევ. მუშ „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევო ციურ ორგანიზაციაში" განაგრძო.

ლიტ.: შ ვ ე ლ ი ძ ე ზ., რევოლუცი ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1960. *ზ. შველ*

კავკასიელთა ჯგუფი, რევოლუცი ხალხოსნური ორგანიზაცია. შეიქმნა 1 შვეიცარიაში. ჯგუფის წევრები იყვნე *ჯაბადარი* (ხელმძღვანელი), მ. ჩიკო დ. გურამიშვილი, ა. ელიოზიშვილი ; ლომღატი და სხვ.

1874 ზაფხულში მაი მონაწილ მიიღეს საზღვარგარეთ არსებული სა „ულლის" ჟენევის გაფართოებულ ; რესში. შეადგინეს რევ. უმცირესობა, რ მოითხოვა კავკ. ახალგაზრდების მონაწილეობა რუს. სოც. რევ. მომზად ში. დაამეს სეპარატისტული თვალსა სი რუსეთიდან კავკ. გამოყოფის შესა 1874 შემოდგომაზე თავისივე ინიციატ კ. ჯ. შეუერთდა ციურიხში მოსწავლ სტუდენტ ქალთა წრეს „ფრიჩს", რის დეგადაც საფუძველი ჩაეყარა „სრულ



იუგოსლავია, ეკონომიკური რუკა



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის''. ამ ორგანიზაციასთან ერთად ჯ. რუსეთში გადმოვიდა სამუშაოდ.

ლიტ.: შველიძე ზ., ამიერკავკასიელები „სრულიად რუსეთის სოციალურ-კოლუციურ ორგანიზაციაში" (1874—1876 .), თბ., 1974, მისიევ. რევოლუციურ-უზისნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 50, ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორ-ისათვის საქართველოში, ტ. 2, ტფ., 1927.

ზ. შველიძე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 1942—43, -ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა დი- სამამულო ომის (1941—45) დროს. 1942 25 ივლ. ჰიტლერელთა ჯარებმა დაიეს შეტევა კავკასიის მიმართულებით ოდური სახელწოდება „ედელვაისი"). ერაციის დაწყებისას გერმ. ჯარები ეშვნელოვნად ჭარბობდა აქ მყმედ ᲛᲑᲠ. ფრონტის საბჭ. ჯარებს. ჰიტლერელებს უპირატესობა ჰქონდათ ცოცხალი ლის მბრივ — 1,5-ჯერ, არტილერიით— ჯერ, ტანკებით — 9,4-ჯერ, თვითმფრინებით — 7,7-ჯერ და ა. შ. გერმანელებს რდათ ალყა შემოერტყათ და გაენადგურებინათ როსტოვის სამხრეთითა და სამხრ.-ᲛᲑ-ით გასწლაგებული სამხრ. ფრონტის ᲠᲔᲑᲘ და ხელში ჩაეგდოთ ჩრდ. კავკაა, აეღოთ ნოვოროსიისკი და ტუაფსე, ოზნო და. ბაქო, ერთდროულად გადაეახათ ულელტეხილები და გაჭრილიყვნენ ᲠᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ქუთაისისა და სოხუმისაᲜ, იმედი ჰქონდათ, რომ ამიერკავკასიაში თი შეჭრა თურქეთსაც ჩააბამდა ომში Რ გერმანელთა ჯარები შუა და ახლო აღᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ გაიკაფავდნენ გზას. ნაფიქრის განსახორციელებლად მოწინააღმდეგე კრასნოდარისა და სტავროპოᲚᲘᲡ მიმართულებით დაიძრა. 11 აგვ. მან ᲚᲝᲗ იგდო მაიკოპი და კრასნოდარი. ხო- 31 აგვ.—ანაპა. საფრთხე ნოვოროსიისკს Ხ. *ნოვოროსიისკის თავდაცვითი ოპერა- ა 1942—43*), ტუაფსესა და სოხუმს დაექრა. 10 სექტ. მძაფრი ბრძოლები გაᲚᲓᲐ ნოვოროსიისკის ქუჩებში, მაგრამ ᲔᲠᲛᲐ ქალაქის მთლიანად აღება მაინც Რ შეძლო. აქ მედგრად იბრძოდა 47-ე ᲛᲘᲐ გენ. ა. გრეჩკოს სარდლობით. გაᲗᲠᲔᲑᲣᲚ ბრძოლებში მან შეაჩერა მტრის ᲘᲡᲚᲔᲚᲐ. კავკასიის უკეთ დასაცავად უმაᲚᲔᲡᲛᲐ მთავარსარდლობამ ჩრდ. კავკ. ᲠᲝᲜᲤᲘ გარდაქმნა (1 სექტ-იდან) ამიერᲒᲙ. ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუᲐᲓ. ამიერკავკ. ფრონტს დაეკალა კავკ. ᲔᲚᲔᲢᲔᲮᲘᲚᲔᲑᲖᲔ და მდ. თერგის თავᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ მოწყობა. ჯარების საბრᲘᲚᲝ მოქმედების მოხერხებულად წასᲐᲠᲗᲐᲕᲐᲓ შეიქმნა ამიერკავკ. ფრონტის ᲩᲓᲘᲚᲝᲗᲘᲡ ჯგუფი გენ.-ლ. ი. მასლეᲙᲝᲕᲘᲡ სარდლობით (44-ე, მე-9, 58-ე, 7-ე არმიების შემადგენლობით). სექტ. ᲝᲚᲝᲡ და ოქტ-ში მოწინააღმდეგემ არაᲮᲗᲔᲚ სცადა შეტევა ტუაფსესა და გრᲝᲜᲝᲡ მიმართულებით, მაგრამ ამიერკავკ. ᲠᲝᲜᲤᲘᲡ (სარდალი არმიის გენ. ი. ტიუᲔᲜᲔᲕᲘ) ჯარებმა 5 თვის მძიმე, თავდაცᲘᲗᲘ ბრძოლებით მნიშვნელოვანი ზარᲘᲡ მიაყენეს მოწინააღმდეგეს და აიძულეს ᲐᲕᲓᲐᲪᲐᲗᲐᲕᲘ გადასულიყო.

მძიმე ბრძოლები გაიმართა კავკასიᲝᲡ ჩრდ. მისადგომებთან, მთებში, ულელᲔᲮᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. 46-ე არმიამ (სარდალი ᲔᲜ. კ. ლესელიძე, სამხ. საბჭოს წევრები ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ და გ. სანაკოევი, შტაბის უფᲝᲡᲘ მ. მიქელაძე) გადასასვლელებიდან ᲙᲣᲐᲒᲓᲛ ჰიტლერელთა სამთო მსროლᲔᲚᲘ რაზმები, საიმედოდ უზრუნველყო ᲐᲕᲙ. ულელტეხილების დაცვა. სხვა შენᲐᲠᲗᲔᲑᲗᲐᲜ ერთად გადასასვლელზე თავდაᲔᲑᲣᲚᲐᲓ იბრძოდნენ 242-ე და 392-ე ქართ. ᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ დივიზიები, კავკ. გმირულმა ᲓᲐᲪᲕᲐᲛ, აქ მტრის შეჩერებამ შეუმსუბუქა დგომარეობა სტალინგრადის დამცველᲔᲑᲘᲡ. მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო კავკ. ᲠᲝᲜᲤᲘᲓᲐᲜ მაშველი ძალის გადასროლა ᲚᲔᲚᲐᲨᲘ მოქცეული ფელდმარშალ პაᲣᲚᲣᲡის 330-ათასიანი არმიის დასახმარებლად, ხოლო საბჭ. ჯარების მიერ ვოლგაზე მოწინააღმდეგის არმიის განადგურებამ დაჩქარა გამარჯვება კავკასიაში. 1943 წ. 24 იანვ-თვის გათავისუფლდა მალგობეკი, მოზდოკი, პროხლადნი, მინერალნიე-ვოდი, პიატიგორსკი, ესენტუკი, კისლოვოდსკი, არმავირი. *ნოვოროსიისკᲘᲡᲗᲐᲛᲐᲜᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ* (1943 9 სექტ. — 9 ოქტ.) შედეგად გაათავისუფლეს ნოვოროᲡᲘᲘᲡᲙᲘ და ტამანის ნ.-კ.

Ჯ. ᲑᲘᲡ ერთ-ერთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო ნოვოროსიᲘᲡᲙᲘᲡ დაცვა, აქ მტრის შეჩერება, განადᲒᲣᲠᲘᲡ და შემდგომი 1942—43 შეტევითი ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

1943 თებ-ში მე-18 არმიის (სარდალი გენ. კ. ლესელიძე, სამხ. საბჭოს წევრი ს. კოლონინი, პოლიტგანყ-ბის უფროსი ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ) სადესანტო რაზმი მაიორ ᲒᲘᲙᲣᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ მეთაურობით ნოვოროსიისკის სამხრ.-დას. *ᲑᲘᲡᲮᲐᲙᲝᲡ* რ-ნში „მცირე მიწაᲖᲔ" გადავიდა, მტერს პლაცდარმი გამოგᲚᲘᲯᲒᲐ და ძირითადი ძალების მოსვლამდე შეინარჩუნა. „მცირე მიწაზე", 30 *კმ²* ფართობზე, 225 დღე-ღამე გმირულად იბრძოᲓᲜᲔᲑ საბჭ. მეომრები. აქვე იბრძოდა 414-ე ქართ. მსროლელი დივიზიაც. 1943 სექტᲨᲘ ნოვოროსიისკთან მე-18 არმიის სარდᲚᲝᲑᲐᲛ გადასვა დიდი დესანტი, რ-შიც მონაწილეობდნენ ყველა სახეობისა და გვᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ჯარები. ეს იყო ერთ-ერთი უდიᲓᲘᲡᲘ დესანტი დიდი სამამულო ომის დროს.

ნოვოროსიისკისა და ტამანის ნ.-კ-ის გათავისუფლებით დამთავრდა ფაშისტ დამპყრობთაგან კავკასიის გათავისუფლებისათვის ბრძოლა. Ჯ. Ბ-ში გამარჯვებამ განამტკიცა სსრკ-გერმ. ფრონტის სამხრ. ფლანგი. სსრკ უმაღლესი საბჭოს 1944 წ. 1 მაისის ბრძანებულებით ათასობით მებრძოლი დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

თითქმის 15 თვე გრძელდებოდა ბრძოლა ვრცელ ტერიტორიაზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის. Ჯ. Ბ-ში თავი გამოიჩინეს საბჭ. ქვეყნის ყველა ხალხის შვილებმა. აქ ერთმანეთის მხარდამხარ 12 ეროვნ. შენაერთი იბრძოდა. მ. შ. 242-ე, 276-ე, 392-ე, 394-ე და 414-ე ქართ. მსროᲚᲔᲚᲘ დივიზიები. ამიერკავკ. ფრონტის ჯარების 70 მეომარს საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მ. შ. იყვნენ ზემდეგი ნ. გოგიჩაიშვილი, პოლიტხელი ვ. კანკᲐᲕᲐ, კაპიტანი ზ. პირმისაშვილი, პოლიტᲮᲔᲚᲘ ვ. ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ და მერიგე გ. სულᲯᲘᲐ. ომის პირველი თვეებიდან საქ. სსრ მრეწველობა სამხ. პროდუქციის გამᲛᲨᲕᲔᲑᲐᲖᲔ გადავიდა. 1942—43 კავკ. დამცველებმა საქართველოდან მიიღეს 135 ათ. ტყვიამფრქვევი, ათეულ ათასობით საარტილერიო ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ნᲐᲦᲛᲘ, ათეულობით პირველხარისხოვანი გამანადგურებელი თვითმფრინავი, დიდი რაოდენობის სურსათ-სანოვაგე, ტანსაცᲛᲔᲚᲘ და სხვ.

ლიტ.: ᲑᲠᲔᲣᲜᲔᲕᲘ ლ. ი., მცირე მიწა, თბ., 1978; ᲒᲠᲔᲩᲙᲝ ა., ბრძოლა კავკასიისათვის, თბ., 1971; ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ პ., ქართველი მეომრები, თბ., 1960; Бабалашвили И. П., Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны 1941—45 гг., Тб., 1977; Великая Отечественная война Советского Союза 1941—1945. Краткая история, 2 изд., М., 1970.

პ. შამათავა.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 448.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ, გაიმართა თბილისში 1917. I ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ მიმდინარეობდა 23 აპრილიდან 24 მაისამდე. უმრავლესობას ესერები და მენშევიკები შეადგენდნენ, მომხსენებლებიც ამ პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, რის გამოც ყრილობამ დროებით მთავრობას დაუჭირა მხარი. განიხილეს: მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების, მუშათა, აგრ., ეროვნ., დამფუძნებელი კრების და სხვ. საკითხები. ბოლშევიკებმა ყრილობის ტრიბუნა გამოიყენეს ლენინური ლოზუნგების პროპაგანდისათვის. ი. მალიგინი, ს. ქავთარაძე, გ. ყორლანოვი მოითხოვდნენ ძალაუფლება გადასცემოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. მათ ამხილეს ე. წ. „თავისუფლების სესხის" იმპერიალისტური ხასიათი, დაასაბუთეს არმიაში პარტ. ორგანიზაციების შექმნის საჭიროება, წარადგინეს ბოლშევიკური რეზოლუციების პროექტები, მაგრამ ყრილობამ მაინც მენშევიკურ-ესერული რეზოლუციები მიიღო და ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას; აირჩია კავკ. არმიის სამხარეო საბჭო.

II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ მიმდინარეობდა 10—23 დეკ.; ესწრებოდა 250 დელეგატი. ძლიერ ძალას წარმოადგენდა ბოლშევიკური ფრაქცია (160 დელეგატი) ს. შაუმიანის, ს. ქავთარაძის, გ. ყორლანოვის, მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით. განიხილეს: ჩრდ. კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა, არმიის სამხარეო საბჭოს ანგარიში, დემობილიზაციისა და სხვ. საკითხები. ბოლშევიკებმა ამხილეს არმიის სამხარეო საბჭოსა და ამიერკავკ. კომისარიატის კონტრრევ. საქმიანობა. მოითხოვეს, რომ ეცნოთ რუს. საბჭ. მთავრობა, გაეჩაღებინათ ბრძოლა ამიერკავკასიაში საბჭ. ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ყრილობამ აირჩია კავკ. არმიის სამხარეო საბჭო 100 კაცის შემადგენლობით (52 ბოლშევიკი, მემარცხენე ესერი და მათი მომხრეები, 48 მენშევიკი, მემარჯვენე ესერი და მათი მომხრეები). ყრილობის შემდეგ (27 დეკ.) უმცირესობამ თვითნებურად გამოაცხადა თავი კავკ. არმიის სამხარეო საბჭოდ, უმრავლესობამ დაგმო გამთიშველები და რევ. სამხარეო საბჭომ (თავ-რე გ. ყორლანოვი) თავისი ცენტრი ქ. ბაქოში გადაიტანა.

ლიტ.: ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბ., 1971; ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲔ გ., საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1954.

ს. ᲑᲔᲠᲫᲔ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ (1864—1918), დაარსდა თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი მმართველობის უფროსის ბარონ ა. ნიკოლაის ინიციატივით. Ჯ. Ა. Კ-ის დანიშნულება იყო შეეკრიბა, შეესწავლა და გამოსაცემად მოემზადებინა კავკ. უმაღლესი მმართველობის არქივის მასალა, რ-საც უნდა წარმოედგინა კავკასიაში რუს. ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის მფლობელობის ისტორია. Ჯ. Ა. Კ-ის განკარგულებაში იყო არქივმცოდნეების მთელი შტატი, რ-იც თავს უყრიდა და სწავლობდა ისტ. მნიშვნელობის საქმეებს. საარქივო მასალის წესრიგში მოყვანა ჯერ კიდევ 1843 დაევალა საქართვ. მთავარმართებლის გენ. ნიიდგარდტის განკარგულებით შედგენილ კომისიას. Ჯ. Ა. Კ-მ 20 წლის შემდეგ უკვე მოწესრიგებული არქივი ჩაიბარა და გამოსაცემად ძირითადად მეფის რუს. მფლობელობის დადებითი მხარეების ამსახველი მასალა შეარჩია. ამგვარი მუშაობის შედეგად ბევრი საყურადღებო დოკუმენტი ვერ მოხვდა Ჯ. Ა. Კ-ის მიერ გამოსაცემად შერჩეულ აქტებში, მაგრამ ის, რაც გამოიცა, დიდმნიშვნელოვანია კავკასიის ისტორიისათვის. Ჯ. Ა. Კ-მ გამოსცა 12 ტომი. კომისიის მუშაობაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით კომისიის პირველ თავრეს ა. ბერჟეს და პირველ მუდმივ წევრს ნ. ᲑᲔᲠᲫᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲝᲕᲘ) (იხ. *„აკტი კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისსიი"*).

ლიტ.: Полиевктов М. А., Кавказская археографическая комиссия и ее наследие в Центр. архиве ССР Грузии, «Историческое обозрение», 1925, [ტ.] 2.

ა. კიკვიძე.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ I ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲔᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ, მიმდინარეობდა 1917 წ. 2—7 ოქტ. თბილის-

ში. ესწრებოდა 30 დელეგატი (27 გადამწყვეტი და 3 სათათბირო ხმის უფლებით), რ-ებიც წარმოადგენდნენ პარტიის 8636 წევრს. ყრილობა გახსნა ფ. მახარაძემ, საპატიო თავ-რედ აირჩიეს ვ. ი. ლენინი. დღის წესრიგი: მოხსენება რსდმპ (ბ) VI ყრილობისა და პარტ. ცენტრის შესახებ, ანგარიშები ადგილებიდან; მოხსენებები: მიმდინარე მომენტის, დამფუძნებელი კრების არჩევნების, ეროვნ., აგრარ. საკითხების, პარტ. პრესის შესახებ, ორგანიზაციული საკითხები, არჩევნები. ყრილობამ მთლიანად მოიწონა რსდმპ(ბ) ცენტრ. კომიტეტისა და პარტიის VI ყრილობის პოლიტ. ხაზი და მტკიცე პოზიცია დაიკავა რევ. ხასიათისა და მისი მამოძრავებელი ძალების ლენინურ შეფასებაში. მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებული რეზოლუცია მოუწოდებდა კავკ. პარტ. ორგანიზაციებს, მუშათა კლასს, ჯარისკაცებსა და რევ. გლეხობას, შეუპოვარი ბრძოლა გაეჩალებინათ ძალაუფლების მოსაპოვებლად. აგრ. საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ მხარი დაუჭირა მთელი მიწების ნაციონალიზაციას და ხალხის ხელში გადაცემას; ყრილობამ მოსთხოვა ბოლშევიკებს გაეწყვეტათ ყოველგვარი კავშირი მენშევიკებთან და შეექმნათ დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები. დიდი ყურადღება დაეთმო არმიაში მუშაობის საკითხს. დაისახა ღონისძიებანი მის გასაძლიერებლად. დამტკიცდა კავკ. პარტ. ორგანიზაციების ახ. წესდება; გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი" გამოცხადდა პარტიის კავკ. სამხარეო და თბილ. კომიტეტების გაერთ. ორგანოდ და შეიქმნა მთელი კავკ. ერთიანი პარტ. ხელმძღვანელი ცენტრი — რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით.

ლიტ.: ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბ., 1971; Иванидзе К. М., Первый краевой съезд большевистских организаций Кавказа (2—7 окт. 1917 г.), Тб., 1969.

კ. ივანიძე.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების II სამხარეო ყრილობა, მიმდინარეობდა 1919 წ. 2—5 იანვ. ვლადიკავკაზში (ახლანდ. ორჯონიკიძე). იმის გამო, რომ ყრილობაზე არ იყვნენ ამიერკავკ. ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატები, იგი გამოცხადდა რკპ(ბ) ჩრდ. კავკ. პარტ. ორგანიზაციების ყრილობად. მიუხედავად ამისა, ყრილობა უფლებამოსილად ცნეს გადაეწყვიტა საკითხები, რ-ებიც მთელ კავკასიას ეხებოდა. დღის წესრიგი: რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის ანგარიში, მოხსენებები ადგილებიდან, ამიერკავკ. კომუნისტების ამოცანები ჩრდ. კავკასიაში შექმნილ პოლიტ. მდგომარეობასთან დაკავშირებით, არჩევნები. ყრილობამ მიიღო მისალმება რკპ(ბ) ცკ-ის, სახკომსაბჭოსა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის, ვ. ი. ლენინისა და კ. ლიბკნეტის სახელზე. აირჩია რკპ(ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტის ახ. შემადგენლობა.

ლიტ.: ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბ., 1971, გვ. 511; Иванидзе К. М., Славные страницы борьбы и побед (История деятельности Кавказского краевого комитета РКП(б). 1917—1920 гг.), Тб., 1975.

კ. ივანიძე.

კავკასიის გამაგრებული ხაზი („ლინია"), სიმაგრეთა სისტემა, რ-იც ააგო რუსეთის ჯარმა კავკასიის ომების დროს. შედგებოდა ციხესიმაგრეებისა და სტანიცებისაგან (მოზდოკი, გროზნაია, ვლადიკავკაზი, გეორგიევსკაია, ეკატერინოდარი და ა. შ.), რ-თა შორის 25—30 *კმ* დაშორებით, განლაგებული იყო ფორტები, ყოველ 3—5 *კმ*-ზე საგუშაგოები. ჰ. ბ. ხ-ის მშენებლობა დაიწყო 1735—39, როცა ყიზლარი დაარსდა და მდ. თერგზე აიგო სიმაგრეები. 1785 ბრძანებულებით დასრულდა ჰ. ბ. ხ-ის აგება. შემდეგ იგი დაიყო მარცხ. ფლანგად, ცენტრად, მარჯვ. ფლანგად და შავი ზღვის ხაზად. 1830 დაღესტანსა და კახეთს შორის (ყვარელ — ზაქათალა) აიგო ლეკეთის ხაზი, 1837—39 შავიზღვის-პირეთის ხაზი (ანაპა — სოხუმი). 1860 ჰ. ბ. ხ. გაუქმდა.

კავკასიის განყოფილება რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებისა, ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული სამეცნიერო ორგანიზაცია. დაარსდა 1850 წ. 27 ივლისს. პირველი საზეიმო დამაარსებელი სხდომა შედგა 1851 წ. 10 მარტს თბილისში. იარსება 1917-მდე. განყ-ბის დანიშნულება იყო კავკ. მხარის სისტემ. გეოგრ., გეოლ., ეთნოგრ. კვლევა, მისი ფლორისა და ფაუნის შესწავლა, რითაც საფუძველი ჩაეყარა კავკასიაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებას. განყ-ბას ხელმძღვანელობდა განმკარგულებელი კომიტეტი. განყ-ბა სცემდა *„ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვას"* და *„იზვესტია კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვას"*. განყ-ბის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი მკვლევრები: პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ვ. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი, მ. ჯანაშვილი, გ. წულუკიძე, მ. გარსევანიშვილი, გ. ყაზბეგი, ა. ხახანაშვილი და სხვ. განყ-ბის ბაზაზე შეიქმნა *გეოგრაფიული საზოგადოება საქართველოსი.*

დ. კაპანაძე.

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, დაარსდა თბილისში 1917 წლის 1 ივლისს. ეს იყო პირველი ინ-ტი რუს. მეცნ. აკად. სისტემაში. დაარსების ინიციატორი და ოფიც. ხელმძღვანელი იყო აკად. ნ. მარი. ინ-ტის ძირითად მიზანს შეადგენდა კავკ. მოსახლეობისა და მისი მონათესავე ხალხთა ენებისა და ისტ. შესწავლა, კავკასიისმცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნ. დისციპლინების განვითარება, ყოფილი კავკ. სამეფისნაცვლოს ფარგლებში არსებული მატერ. და სულიერი კულტურის ძეგლების რეგისტრაცია-დაცვა.

1931 ინ-ტს დაემატა საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბა და ეწოდა სსრკ მეცნ. აკად. კავკასიისმცოდნეობის ინ-ტი, რ-ის ბაზაზეც 1932 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალი. 1933 ამიერკავკ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა სსრკ მეცნ. აკადემიის ამიერკავკ. ფილიალის საქართვ. განყ-ბა. 1935 მოხდა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის რეორგანიზაცია: ჩამოყალიბდა 3 დამოუკიდებელი ფილიალი — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის. 1941 თებ-ში საქართვ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქ. სსრ მეცნ. აკადემია.

1936 კავკასიისმცოდნეობის ინ-ტს ეწოდა აკად. ნ. მარის სახ. ამიერკავკ. ხალხთა ისტორიის, მატერ. კულტურის, ენისა და ლიტ-რის ინ-ტი, 1936 ივლ-იდან კი აკად. ნ. მარის სახ. *ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი* („ენიმკი")

ინ-ტი აწყობდა სამეცნ. ექსპედიციებს, ლექცია-მოხსენებებს. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ამიერკავკ. და ჩრდ. კავკ. სამეცნ. წრეებთან. ჰქონდა აგრეთვე პერიოდული ორგანო — „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე".

ლიტ.: ჯანაშია ს., მოკლე ანგარიში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ.» «ენიმკის მოამბე», 1944, ტ. 14; Джорбенадзе С. М., Учреждения АН СССР и Тбилисский университет. (Документы и факты), Тб., 1974.

ქ. თოფურიძე.

კავკასიის კომიტეტი, განსაკუთრებული საუწყებათაშორისო ორგანო, რ-იც 1845 დაარსა რუსეთის მთავრობამ კავკასიაში მმართველობის საერთო რუს. სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. მას წინ უძღოდა რამდენიმე დროებითი კომიტეტი, რ-თაც ევალებოდა კავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემუშავება და შემოღება (1833—45). კ. კ. შემდეგ გ. დაიქცა მუდმივ ორგანოდ, რ-იც ხელმძღვანელობდა კავკ. ადმ. სამოქალაქო საქმეთა ნობას. კ. კ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო, ფინანსთა, სახელმწ. ქონების, იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე ტახტის მემკვიდრე, ჯარდარმთა შეფი და მაღალი მოხელეები. კ. კ. გაუქმდა 1862, კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებასა და ახ. ადმ. წყობის შემოღებასთან დაკავშირებით.

კავკასიის მინერალური წყლები, სხვადასხვაგვარი და უხვი მინერალური წყაროებით მდიდარი ბალნეოლოგიური კურორტების რაიონი სტავროპოლის მხარეობისა და კავკასიონის ჩრდ. კალთების შესაყარზე, რსფსრ სტავროპოლის მხარეში. საკავშ. მნიშვნელობის *კურორტები: პიატიგორსკი, კისლოვოდსკი, ესენტუკი, ჟელეზნოვოდსკი.* პირველ ცნობებს ჰ. ბ. წ-ის შესახებ გვაწვდის ექიმი გ. შობერგი (1717), რ-იც პეტრე I-ს გაუგზავნია ჩრდ. კავკასიაში მინერ. წყაროების შესასწავლად. კურორტები მოეწყო 1803. განვითარდა და ფართო გამოყენება დაიწყო საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1972 ექსპლუატაციაში იყო 90 წყარო (სულ ცნობილია 130 წყარო). ჰ. ბ. წ-ის სამეცნ. ცენტრია პიატიგორსკის ბალნეოლ. ინ-ტი (შეიქმნა 1920). სამედ. ჩვენება იხ. სტატიებში ცალკეული კურორტებზე.

კავკასიის მუზეუმი, კავკასიური მუზეუმი, მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1852—1919. ჰ. ბ., რომელიც კომპლ. სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუს. გეოგრ. საზ-ბის კავკასიის განყ-ბასთან (რგსკგ) მწერალ ა. სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქართველი მოღვაწეები (ა. ბერჯე, ი. ბარტოლომეი, ნ. ხანიკოვი, ა. ნიკოლაი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, გ. ერისთავი, რ. ერისთავი და სხვ.). 1853 დამდეგს რგსკგ-მ აირჩია ჰ. ბ-ის დირექცია (დირექციის თავ-რე ა. ნიკოლაი, ერთ-ერთი დირექტორი ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი ა. ბერჯე). ჰ. ბ-ს ჰქონდა 3 კაბინეტი: ეთნოგრ., ისტ. და საბუნებისმეტყველო. ეთნოგრ. კაბინეტის მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა რ. ერისთავმა (მოაწესრიგა ეთნოგრ. მასალა, დაიწყო ეთნოგრ. კატალოგის შედგენა). ჰ. ბ-თვის გამოყოფილი სახსრების სიმცირის გამო სამუზეუმო კოლექცია ივსებოდა უმთავრესად შეწირულებათა გზით. არსებობის პირველ წელს ჰ. ბ-ს ჰქონდა მცირე კოლექცია (105 საგანი — ტანსაცმელი, ავეჯი, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მუსიკალური საკრავები, ძვ. ფულები, მემორიალური ნივთები, ეგვ. მუმია, მინერალები და სხვ.). შემძენილ ექსპონატებს მეცნ. სწავლობდნენ. 1855 სექტ-ში გაიხსნა პირველი გამოფენა. 1859 საბუნებისმეტყველო კაბინეტის კონსერვატორად (მცველად) მოიწვიეს ფ. ბაიერნი. მისი ხელმძღვანელობით მასალების შესაკრებად ეწყობოდა ექსპედიციები საქართვ. სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც ფონდებს 28600 ექსპონატი შეემატა (მუზეუმის სივიწროვის გამო ბაიერნის კოლექციების დიდი ნაწილი ინახებოდა მის ბინაზე). რგსკგ-ში სამუზეუმო საქმის საკითხში იმხანად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი. ერთნი თვლიდნენ, რომ საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა (ამ თვალსაზრისს იცავდა რ. ერისთავი), სხვები მიიჩნევდნენ, რომ ჰ. ბ-უნდა დახმარებოდა დასავლეთის მეცნიერებს კავკასიის გაცნობაში და ექსპონატებით შეევსო ევრ. მუზეუმების ფონდები. თანდათან გაიმარჯვა მე-2 თვალსაზრისმა (მისი მთავარი გამომხატველი იყო ბარტოლომეი, რ-იც სოლოგუბის წასვლის შემდეგ, 1853-იდან, ჰ. ბ-ის დირექტორად

დაინიშნა). კ. მ-ის დირექცია ჯეროვანი ყურადღებით აღარ ეკიდებოდა ახ. ექსპანატების შეძენას. მაგ., 1857 მან უარი თქვა შეეძინა მ. ბარათაშვილის ნუმიზმატიკური კოლექცია, რ-იც შემდეგ ბერლინის მუზეუმში მოხვდა. რგსკგ-მ გააუქმა კ. მ-ის დირექცია და, არსებითად, მუზეუმის ხელმძღვანელობა ი. ბარტოლომეის დაეკისრა. 1864 კ. მ. დაიხურა.

კ. მ. აღდგენილ იქნა 1865 გ. *რადეს* ინიციატივით. მუზეუმს გადაეცა ადრინდ. კ. მ-ის კოლექციები (173 ისტ.-ეთნ. და 3 ათასამდე გეოლ. და მინერალოგიური ექსპონატი), ამას შეემატა რადეს მიერ 1864—66, მოგზაურობათა დროს, მოპოვებული ექსპონატები. კ. მ-მა გაცხოველებული ურთიერთობა დაამყარა რუსეთისა და უცხოეთის მუზეუმებსა და სამეცნ. დაწესებულებებთან. 1867 წ. 2 იანვ. კ მ. საზეიმოდ გაიხსნა. ჰქონდა 4 განყ-ბა: ეთნოგრ., ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიის, შემდეგ დაემატა მე-5 „ორნამენტებისა და სიძველეთა" (მოგვიანებით არქეოლოგიის) განყ-ბა. 1865—67 შენაძენთა შორის აღსანიშნავია პასტორ ჰოჰენაკერის კავკ. მცენარეთა დიდი ჰერბარიუმი, ბუნებისმეტყველ სტევენის ქართ. მუხების კოლექცია, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი თლილი ქვა რომის იმპ. ვესპასიანეს წარწერით. 1868 შეემატა ბაიერნის კოლექცია. 1869 მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა თბილ. საჯარო ბ-კა. 1881 გაიხსნა ახ. გამოფენა, რ-ზეც წარმოდგენილი იყო საბუნებისმეტყველო და ეთნოგრ. ექსპონატები, ქართ. მასალასთან ერთად— კავკასიელ და სხვა მეზობელ ხალხთა მასალაც. გამოფენის გახსნა დაემთხვა თბილისში მოწვეულ მე-5 საერთაშ. არქეოლ. კონგრესის გახსნას და კ. მ-ს გადაეცა 1879 — 81 არქეოლ. გათხრებით მოპოვებული მასალა; ხოლო 1889 თბილისში მოწყობილი სას.-სამ.და სამრეწვ. გამოფენის დასურვის შემდეგ — იქ გამოფენილი შინაარსეწვ. საგნები. 80-იან წლებში შეიძინეს ფოტოგრაფ ერმაკოვის კოლექციის ნაწილი. რამდენჯერმე დაიბეჭდა კ. მ-ის გზამკვლევი, გამოიცა კატალოგის „Museum Caucasicum" 6 ტომი, პერიოდულად ქვეყნდებოდა მუზეუმის „მოამბე". XX ს. დამდეგის არქეოლ. შენაძენთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. *ახალციხის განძი* და ურარტული ლურსმულწარწერიანი ქვების დიდი კოლექცია. 1911 კ. მ. დაიხურა შენობის ავარიულობის მიზეზით და იქვე დაიწყო ახ. შენობის აგება, მაგრამ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო მშენებლობა შეჩერდა.

1919 აგვ-ში დაარსდა საქართვ. მუზეუმი, რ-მაც მემკვიდრეობით მიიღო კ. მ-ის ფონდები და ქონება (იხ. აგრეთვე *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი* ს. ჯანაშიას სახელობისა).

ლიტ.: ჟორდანია გ., კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავზე, ს. ჯანაშიას ახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1957, ტ. 19A და 21B; Радде Г. И., Краткий очерк истории развития Кавказского музея в первые 25 лет существования..., Тфл., 1891. *გ. ჟორდანია.*

„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲜᲘ", ქართული ყოველკვირეული გაზეთი, მთავრობის ოფიციალური გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1845 იანვრიდან 1846 ივლისამდე; წარმოადგენდა „ზაკავკაზსკი ვესტნიკის" დუბლირებას. გაზეთი იბეჭდებოდა ცირე ზომის ქაღალდზე, 2 სვეტად, 8 ფურცლზე. აქვეყნებდა ოფიც. ცნობებს და სხვა მასალებს. „კ. მ. უ." ერთ-ერთი ქართ. გაზეთია, რ-მაც შემოგვინახა საყურადღებო მასალა XIX ს. 40-იანი წწ. საქართველოს ეკონ. და სოც. ურთიერთობის შესახებ. რედაქტორი — პ. იოსელიანი. მთარგმნელები — ზ. ფალავანდიშვილი, ვ. გუგანაშვილი. ტირაჟი 50 ც. ჩვენამდე მოაღწია გაზეთის მხოლოდ ორმა ნომერმა (№ 1, № 11). *ი. ლორთქიფანიძე.*

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲔᲐᲠᲫᲐᲚᲘ, ნაკრძალი ქ. სოჭსა და ქ. მაიკოპს შორის (კრასნოდარის მხარე), ძირითადად კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. (მდ-ების დიდი ლაბის და ბელაიის ზემო დინება) და სამხრ. კალთებზე (მდ-ების მზიმთის, სოჭის და შახეს ზემო დინება). ფართობი 263,5 ათასი ჰა (1977). დაარსდა 1924 ჩრდ.-დას. კავკ. ბუნებრივი კომპლექსების დაცვის მიზნით. კ. ნ-ში 300-მდე ენდემური სახეობაა. ზ. დ. 900—1200 *მ*-ზე ფართოდ არის გავრცელებული წიფლნარი, სამხრ. კალთები 900 *მ*-მდე დაფარულია მუხნარით, რ-შიც შერეულია რცხილა, პანტა, მაჟალო, ტყემალი, ლეკა, ცაცხვი და სხვ. 1000—1900 *მ*-ზე ჭარბობს სოჭნარი. ტყის სარტყლის ზედა საზღვარზე სუბალპ. ტანბრეცილი ტყეებია, შერეულია არყის, ცირცელის, მაღალმთის ბოკვის, მუხისა და წიფლის ხეები. 1900—2500 *მ*-ზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია. სუბნივალურ სარტყელში (2800—2900 *მ*-ზე ზემოთ) შიშველ კლდეებზე თითო-ოროლა ბალახოვანი მცენარეა, უფრო მაღლა კი ნივალური სარტყელია. ნაკრძალის დას. ნაწილში კოლხური ტიპის ქვეტყეა, სადაც ხარობს წყავი, შქერი, ბზა, ბაძგი, იელი და თაგვისარა. ნაკრძალში ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია დასავლეთკავკ. ჯიხვი, კავკ. არჩვი, გარეული ღორი, მურა დათვი, კავკ. ირემი, ტყისა და თეთრყელა კვერნა, წავი, წაულა, პრომეთესეული მემინდვრია და სხვ. ცდილობენ ადრე განადგურებული კავკ. დომბის მოშენებას. წინათ აქ ჯიქიც ყოფილა. ნაკრძალში შედის აგრეთვე დიდი ახუნის მთის სამხრ.-აღმ. კალთებზე განლაგებული ხოსტის რელიქტური ბზიანუთხოვრიანი კორომი (ფართობი 300 *ჰა*).

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲝᲛᲔᲑᲘ 1817—64, სამხედრო მოქმედებათა წყება, რ-იც მეფის რუსეთმა ჩაატარა კავკასიის დასაბორჩილებლად XVIII — XIX სს-ში. ერთი მხრივ, ეს ბრძოლები მიმართული იყო კავკასიაში ირანისა და ოსმ. ექსპანსიის წინააღმდეგ, რაც კავკ. ხალხების ინტერესებს ეხმაურებოდა, მეორე მხრივ, მათ მიზანს შეადგენდა კავკასიელი ხალხების ანტიფეოდ. მოძრაობის ჩახშობა; დასასრულ, ეს იყო კოლონ. ხასიათის ბრძოლა, რ-იც რუს. ცარიზმმა 1817—64 ჩრდ. კავკ. მთიელთა წინააღმდეგ წარმართა და ამით მთელი კავკ. შემოერთების პროცესი დასრულა.

რუს. მთავრობა კავკ. ტერიტორიით ჯერ კიდევ XVI ს-ში დაინტერესდა. ყაზანისა და ასტრახანის სახანოების შემოერთების (1552—56) შემდეგ მოსკ. სახელმწიფო უშუალოდ კავკასიას ემეზობლებოდა. 1567 სუნჟასა და თერგის შესართავთან, 1588 თერგის დელტაში რუსეთმა ციხესიმაგრეები ააგო. იმ დროს კავკასია ირან-ოსმ. ომის ასპარეზი იყო და მათი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკ. სახელმწ. მოღვაწენი ცდილობდნენ რუსეთის გამოყენებას. 1557 ყაბარდოელმა მთავარმა თემურყვამ მოსკ. ქვეშევრდომობა მიიღო, ხოლო 1580-იან წლებში კახეთის სამეფომ რუსეთთან კავშირი დადო.

XVII ს-ში რუსეთთან კავშირი დადეს აღმ. და დას. საქართვ. მეფე-მთავრებმა. მაგრამ რუს. ინტერესები იმჟერად არ ითვალისწინებდა კავკასიაში აქტ. პოლიტიკის გატარებას. 1722—23 კასპიისპირეთში რუსთა ჯარების ლაშქრობის დროს პეტრე I-მა სამხ. პოლიტ. კავშირი შეკრა ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან. რუს. მოკავშირედ ვახტანგ VI-ის ხელმძღვანელობით სომეხთა ლაშქარიც გამოვიდა. მაგრამ რუსეთი კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად კვლავ მოუმზადებელი აღმოჩნდა.

1735—39 რუსეთი და ოსმალეთი ებრძოდნენ ერთმანეთს. მიუხედავად გარკვეული სამხ. წარმატებებისა, რუსეთმა ვერც ამჯერად მიაღწია მთავარ მიზანს — ვერ მოიპოვა შავ ზღვაზე გასვლის უფლება.

1768—74 რუსეთ-ოსმ. ომმა ვრცელი ტერიტორია მოიცვა. ფრონტი საქართველოშიც გაიხსნა. რუს. მთავრობამ აქ 1200-კაციანი საექსპედიციო კორპუსი გამოგზავნა. ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ და იმერეთის მეფემ სოლომონ I-მა აქტიურად დაუჭირეს მხარი რუსეთს. 1770 ერეკლე II-მ *ასპინძის ბრძოლაში* დიდი გამარჯვება მოიპოვა. სოლომონ I-მა კი ოსმალთა გარნიზონები განდევნა იმერეთის ციხეებიდან. ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. *ქუჩუქ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით* (1774) რუსეთმა შავ ზღვაზე ნაოსნობისა და ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით სარგებლობის უფლება მიიღო. ყაბარდო და ჩრდ. ოსეთი რუს. შემადგენლობაში შევიდა. ზავის 23-ე მუხლით რუსეთი დას. საქართველოში ოსმ. უფლებას ცნობდა, ოსმალეთი კი იმერეთის ხარკზე უარს ამბობდა. ამ ომის შემდეგ რუს. მთავრობამ ჩრდ. კავკასიაში დაიწყო მიწების დარიგება რუსი მემამულეებისათვის, ხოლო კავკ. სიმაგრეთა ხაზი სამხრ-კენ გადასწია.

ყირიმის შემოერთების (1783) შემდეგ რუსეთმა აქტ. მოქმედება დაიწყო ამიერკავკასიაშიც. 1783 წ. 24 ივლ. გაფორმდა ტრაქტატი ქართლ-კახეთის რუს. პროტექტორატში შესვლის შესახებ (იხ. *გეორგიევსკის ტრაქტატი 1783*). დაიწყო დარიალის სამხედრო გზის მოწესრიგება. 1784 საფუძველი ჩაეყარა სიმაგრე „ვლადიკავკაზს".



„კავკასიის მხარეთა უწყებანი". 1845 წ. 11 მარტი. № 11.

1785 ყაბარდოსა და ჩაჩნეთში რუს. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტ. წინაალმდეგ დაიწყო სახ. მოძრაობა, რ-მაც მეზობელ ოლქებშიც გადაინაცვლა და საკმაოდ დიდი მასშტაბი მიიღო. მაგრამ მუსლ. ზედაფენამ ეს მოძრაობა რელიგიურ სამოსელში გაახვია და *ლაზავათის* დროშით წარმართა. ამ მოძრაობას სათავეში შეიხი მანსური ედგა. მაგრამ დაღ. ფეოდალების ნაწილმა მანსურს მხარი არ დაუჭირა და რუს. ქვეშევრდომობა მიიღო. ამან გააადვილა მანსურის დამარცხება ჩაჩნეთსა და ყაბარდოში. მანსურმა ჩრდ. კავკ. დას. ნაწილში გადაინაცვლა და იქ გააჩაღა ბრძოლა. მანსურთან ბრძოლის დროს, ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო, რუს. მთავრობამ ქართლ-კახეთიდან გაიყვანა დამხმარე რუსთა რაზმი, რ-იც იქ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობით იყო შეყვანილი. ამან ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტ. მდგომარეობა გაართულა.

1787 რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიწყო ახ. ომი, რ-იც 1791 ქ. იასში დადებული ზავით დამთავრდა (იხ. *იასის საზავო ხელშეკრულება 1791*). იასის ზავი ადასტურებდა ქუჩუქ-კაინარჯის ხელშეკრულებას და გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს.

XVIII ს. 90-იან წლებში ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა ნაწილობრივ შეძლო ქვეყნის მდგომარეობის სტაბილიზაცია და საქართველოსა და ჩრდ. აზერბაიჯანში ბატონობის აღდგენა სცადა. 1795 დიდი ჯარით მოადგა საქართველოს და კრწანისის ველზე შეძლო ქართველების მცირერიცხოვანი ჯარის დამარცხება (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*). მტერმა თბილისი აიღო და სასტიკად აოხრა. ამ ამბავს კმაყოფილებით შეხვდნენ ოსმალეთშიც და დას. ევროპაშიც, რადგან ეს ფაქტი რუს. მარცხად მიაჩნდათ. რუს. მთავრობა ამიერკავკასიაში აქტ. მოქმედებას შეუდგა. 1796 დეკ-ში საქართველოში რუსთა 2-ათასიანი რაზმი შემოვიდა, 1794 გაზაფხულზე კი 13-ათასიანმა ლაშქარმა ვ. ზუბოვის მეთაურობით კასპიისპირეთი დაიკავა და ირანში შესაჭრელად მოემზადა. მაგრამ ნოემბერში ეკატერინე II გარდაიცვალა და ახ. იმპერატორმა პავლე I-მა რუს. ჯარი უკან გაიწვია. 1798 წ. 11 იანვ. ერეკლე II გარდაიცვალა. ქვეყანაში შინაფეოდალური ომი გაჩაღდა. არც ირან-ოსმალეთი და დაღ. ფეოდალები არ იშლიდნენ მტრობას.

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის თხოვნით პავლე I-მა გადაწყვიტა საქართველოში ჯარის გამოგზავნა. 1800 ნოემბ. რუს-ქართველთა მზეედრობამ სოფ. კაკაბეთთან დაამარცხა საქართვ. დასარბევად წამოსული ავარიელი და ყაზიყუმუხელი ხანების ლაშქარი.

ამ დროისათვის პავლე I-მა განიზრახა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუს. იმპერიისათვის შეერთება. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ (1800 წ. 28 დეკ.) გამოქვეყნდა მანიფესტი აღმ. საქართვ. რუსეთთან შეერთების შესახებ (1801 წ. 18 იანვ. პავლე I-ის, ხოლო 1801 წ. 12 სექტ. ალექსანდრე I-ის ხელმოწერით). 1803 თბილისში ჩამოვიდა კავკ. ახ. მთავარსარდალი, მთავარმართებელი, წარმოშობით ქართველი, გენ. პ. ციციანოვი. ძან ენერგიულად მოჰკიდა ხელი კავკასიაში ცარიზმის პოლიტ. გატარებას—რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრები რუსეთში გადაასახლა, 1804 იმერეთის მეფე სოლომონ II-თან ხელშეკრულება დადო რუს. მფარველობაში იმერეთის სამეფოს შესვლის თაობაზე. რუს. მფარველობა აღიარეს გურიისა და სამეგრელოს მთავრებმაც. 1803—04 პ. ციციანოვმა ჭარ-ბელაქანი დალაშქრა და განჯის სახანოც დაიმორჩილა. საქართვ. რუსეთთან შეერთებამ და განჯის დაკარგვამ ირანში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ინგლ. წაქეზებით ირანმა 1804 ომი გამოუცხადა რუსეთს. ეს ომი 1813-მდე გაგრძელდა და გულისტანის (ყარაბაღი) ზავით დასრულდა (იხ. *გულისტანის საზავო ხელშეკრულება 1813*). ირანმა ცნო საქართვ., დაღესტნის, აგრეთვე ყარაბაღის, განჯის, შირვანის, შაქის, ბაქოს, დარუბანდის, ყუბისა და თალიშის სახანოების შეერთება რუსეთთან.

ირანს გარდა 1806—12 რუსეთი ეომებოდა ოსმალეთსაც. რუსეთმა ამ ომშიც წარმატებას მიაღწია, მაგრამ 1812, რუს.-საფრ. მოსალოდნელი ომის გამო ოსმალეთთან ზავის შეკვრა აუცილებელი გახდა და 16 მაისს ბუქარესტში დაიდო ზავი (იხ. *ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება 1812*). რუსეთმა მიიღო ბესარაბია, ხოლო მოლდავეთი, ვლახეთი, კავკასიაში — ანაპა, ფოთი და ახალქალაქი ოსმალეთს დაუბრუნდა. სანაცვლოდ ოსმალეთმა ცნო საქართვ. რუსეთთან შეერთება. კოლონ. ჩაგვრის რეჟიმი, რ-საც ცარიზმი კავკასიაში ამყარებდა, ადგილ. მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. 1802—13 საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში რამდენიმე აჯანყება მოხდა. მართალია, ყველა მარცხით დამთავრდა, მაგრამ კავკ. მოსახლეობას ანტიკოლონ. მოძრაობა მაინც არ შეუწყვეტია. 1817-იდან ცარიზმი გეგმაზომიერ მოქმედებას შეუდგა. ჩრდ. კავკ. მთიელთა წინააღმდეგ დაიწყო საკუთრივ კავკ. ომი, რ-იც მიზნად ისახავდა ჩაჩნეთის, მთიანი დაღესტნისა და ჩრდ.-დას. კავკ. საბოლოო შეერთებას რუსეთთან. ეს ომი 3 ეტაპად იყოფა: 1817—29; 1830—56; 1856—64.

ირანმა და ოსმალეთმა სცადეს კავკ. ხალხების ანტიკოლონ. ბრძოლა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ. 1826—28 დაიწყო რუს.-ირანის, ხოლო 1828—29 რუს.-ოსმ. ომი, რ-იც რუს. გამარჯვებით დამთავრდა. ამიერკავკ. ხალხებმა ამ ომებში რუსეთს დიდი დახმარება გაუწიეს. 1828 თურქმანჩაის ზავით ერევნისა და ნახჭევნის სახანოები, ხოლო 1829 ადრიანოპოლის ზავით ახალციხე, ახალქალაქი და შავი ზღვის სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან აჭარის ჩრდ. საზღვრამდე (სოფ. შეკვეთილი, ახლანდ. მახარაძის რ-ნი), ანაპისა და ფოთის სიმაგრეებითურთ რუსეთს გადაეცა. 1828 რუსეთმა ყარაჩაის ოლქი შეიერთა და ყაბარდოდან აფხაზეთში *სოხუმის სამხედრო გზის* გაყვანა დაიწყო. 1830 ზაქათალასა და ყვარელს შორის კორდონების ხაზი დაწესდა.

ჩრდ. კავკასიაში ანტიკოლონ. ბრძოლა ისლამის დროშით გაიშალა. 20-იანი წლებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა რელიგ. მიმდინარეობა — *მიურიდიზმი*. მისი მოთხოვნა იყო თეოკრ. ბელადის — იმამისადმი სრული მორჩილება და „ურჯულოთა" წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიზნით 20—30-იან წლებში ჩაჩნეთსა და დაღესტანში შეიქმნა თეოკრ. სახელმწიფო — *იმამატი*. პირველი იმამი ყაზი-მუჰამადი (ყაზიმოლა) იყო. მან სცადა ჩრდ. კავკასიაში ყველა ფეოდ. სამფლობელოს გაერთიანება, მაგრამ ავარიის ხანი და ტარკის შამხალი არ დაემორჩილნენ. 1830 თებ-ში ყაზი-მუჰამადმა იერიში მიიტანა ავარიის დუდალაქალაქ ხუნძახზე, მაგრამ დამარცხდა. სამაგიეროდ, 1831 იმამმა ტარკის აღება შეძლო და ალყა შემოარტყა ბურნაიის, ვნუზანაიის ციხეებს, მივიდა დარუბანდთან, ბრძოლა გაუმართა გროზნაიას და ვლადიკავკაზს. მის წინააღმდეგ კავკ. ჯარების სარდლობამ გამოყო დიდი დამსჯელი ექსპედიციები და ყაზი-მუჰამადის რაზმები დაამარცხა. მომხრეთა მცირე ნაწილით ყაზი-მუჰამადმა მშობლიურ აულს გიმრს შეაფარა თავი. 1832 წ. 17 ოქტ. რუს. ჯარის მიერ გიმრის იერიშით აღების დროს ყაზი-მუჰამადი დაიღუპა. მეორე იმამი ჰამზათბეგი გახდა. მან ავარიის სახანოს დამორჩილება სცადა, 1834 ხუნძახი აიღო და ხანის ოჯახი ამოწყვიტა, მაგრამ შემდგომ თვითონ მოკლეს შეთქმულმა ფეოდალებმა. მესამე იმამი *შამილი* იყო. მისი ხელმძღვანელობით ანტიკოლონ. მოძრაობამ ჩაჩნეთსა და დაღესტანში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. 1834 წ. 18 ოქტ. რუს. ჯარმა იერიშით აიღო აულები ძველი და ახალი ჰოცატლი. შამილი იძულებული გახდა ავარიიდან წასულიყო, მაგრამ რუსთა ჯარების სარდლობამ იმის იმედით, რომ შამილი დაუძლურებული იყო, 2 წლის განმავლობაში შეტევითი ბრძოლა შეწყვიტა. შამილმა ისარგებლა ამ შესვენებით და ძალა მოიკრიბა.

1837 შამილს ჩაჩნეთი და მთელი ავარია ემორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, იმავე წლის ივლისში რამდენჯერმე დამარცხდა. იგი იძულებული გახდა მიეღო რუს. ქვეშევრდომობა და მმევლებიც მიეცა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კვლავ აჯანყდა. 1839 მას რუს. ჯარის 2 დიდი რაზმი ებრძოდა — ერთი სამხრ. დაღესტანში, მეორე კი იმამის რეზიდენციაში — აულ ახულგოს მიმართულებით. შამილი ბრძოლაში დაიჭრა და იძულებული გახდა ჩაჩნეთში გადასულიყო. 1840 ჩაჩნეთსა და დაღესტანში ბრძოლა ახ. ძალით გაჩაღდა. იმავე წელს ჩრდ. კავკ. დას. ნაწილში აჯანყდნენ ადიღეელები, რომელთა შორის მიურიდიზმი ვერ გავრცელდა. ეს


კავკასიის ომი 1817-1864 წწ
მეფის ჯარების ბრძოლა შამილის წინააღმდეგ 1837-1859 წწ
1830 გამაგრებული ხაზები და მათი აგების წლები
ციხე სიმაგრენი
საქართველოს სამხედრო გზა
სოხუმის სამხედრო გზა (გაიუქანეს 1828 1878 წწ.)
ოსეთის სამხედრო გზა (გაიუქანეს 1858 1988 წწ.)
მეფის ჯარების მოქმედება 1818-1826 წწ
მეფის ჯარების მოქმედება 1861 1864 წწ
ყაზი მუჰ. მადის ლაშქრობები 1830 1832 წწ
შამილის შეტევითი ბრძოლები 1840 1854 წწ
იმამატის ტერიტორია 40 იან წწ
მთიელთა მასობრივი გასახლების რაიონები 50 60 წწ
რაზმების მოქმედებათა მიმართულებები
ა ფეზისა, 1837 წ 7 მაისი 5 სექტემბერი
ბ გრაბეკი, 1839 წ 9 მაისი-3 სექტემბერი
ა გალახევისა, 1840 წ 6 11 ივლისი
მ ვორონცოვისა, 1845 წ 29 მაისი-3 სექტემბერი
ნ ევდოკიმოვისა 1859 წ 7 თებერვალი-1 აპრილი
ა ბარიატინსკისა, 1859 წ ივნისის მიწურული 25 აგვისტო
შამილის საყრდენი პუნქტები
მეფის ჯარების მიერ ღენბის აღება 1859 წ. 25 აგვისტო
25.VIII.1859
1817-1821
1830
1837
1845
1859
1864
25 კმ
75 კმ
48
42
36
14
1792
1757
1777
1780
1763
1850
1864
1846
1821
1820
1826
1829
1831
1832
1834
1839
1840
1854
1858
1859
1864
1861
1862
1863
1865
1866
1867
1868
1869
1870
1871
1872
1873
1874
1875
1876
1877
1878
1879
1880
1881
1882
1883
1884
1885
1886
1887
1888
1889
1890
1891
1892
1893
1894
1895
1896
1897
1898
1899
1900
1901
1902
1903
1904

აჯანყება ანტიკოლონ. და ანტიფეოდ. ხასიათისა იყო. რუს. ხელისუფლებამ მძარი დაუჭირა ადგილ. ფეოდალებს. აჯანყებულები საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. 1841—43 შამილმა შეძლო რამდენიმე გამარჯვების მოპოვება, კვლავ დაიკავა ავარია და დაღესტნის მთელი რიგი რ-ნები. იმამის სამფლობელო მნიშვნელოვნად გაიზარდა, მისი ჯარი 20 ათას კაცს აღწევდა. 1843 რუს. მთავარსარდლობამ თავდაცვითი ტაქტიკა აირჩია.

1844 რუს. ჯარმა შამილის დასაყრდენი აული დარგო იერიშით აიღო და დაანგრია; მთიელებმა ბრძოლით დაიხიეს მთებში და მიუვალ ადგილებს შეაფარეს თავი. მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეძლეს ალყაში მოექციათ ახ. მთავარსარდალი მ. ვორონცოვი, რ-მაც დამხმარე ძალების მოშველიებით გაარღვია რკალი. 1846 ვორონცოვმა იმამატს სიმაგრეთა რკალი შემოარტყა და ისე შეუტია. შამილმა რამდენჯერმე სცადა ამ რკალის გარღვევა. 1846 მისი რაზმები ყაბარდოში შეიჭრნენ, მაგრამ რუსთა ჯარებმა უკუაქციეს. 1849 შამილმა თემირ-ხან-შურის აღება და კახეთში შეჭრა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1850 ტყეების გაჩეხვის, აულების დარბევისა და კორდონების დაწესების ტაქტიკამ აიძულა ჩაჩნები ბრძოლაზე ხელი აეღოთ. 1853-იდან შამილის რაზმებმა ეს მძარე საბოლოოდ მიატოვეს.

ყირიმის ომის (1853—56) დროს მთიელთა ბრძოლა შამილის მეთაურობით უმაღლეს ფაზაში შევიდა. შამილმა თავისი მიზნების განხორციელება რუს. წინააღმდეგ ოსმ. და ინგლ. ბრძოლას დაუკავშირა. ოსმალეთს იგი წინასწარ მოელაპარაკა. 1853 აგვ. 15-ათასიანი ჯარით შამილმა ზაქათალასთან სიმაგრეთა ხაზის გარღვევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. იმავე დროს ადიღეელებმაც სცადეს სიმაგრეთა ხაზების გარღვევა. ამ დროს ყირიმის ომიც დაიწყო. ფრონტი კავკასიაშიც გაიხსნა. აქ ოსმ. ჯარებმა 3 მიმართულებით დაიწყეს შეტევა. ძირითადი ძალები (40 ათ. კაცი) ალექსანდროპოლისაკენ გაემართნენ, ხოლო 20-ათასიანი ჯარი ახალციხეს მიადგა და ბორჯომის ხეობით თბილისისაკენ გაჭრა სცადა. ოსმალთა ჯარის მე-3 ნაწილმა ფოთის ამბრ-ით მდებარე წმ. ნიკოლოზის ფორტი აიღო. 14 ნოემბ. ახალციხესთან ბრძოლაში გენ. ი. ანდრონიკაშვილმა 5-ათასიანი რაზმით დაამარცხა ოსმალთა 20-ათასიანი ჯარი, ხოლო 19 ნოემბ. ბაშკადიკლართან გენ. ვ. *ბებუთოვმა* ოსმალთა ძირითადი ძალები გაანადგურა.

1854 მაისში თურქები კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. 27 მაისს სოფ. ნიგოეთთან რუსთა ლაშქარმა (3 ათ. კაცი) უკუაქცია სოფინააღმდეგე (12 ათ. კაცი), ხოლო 4 ივნ. მდ. ჩოლოქზე გენ. ანდრონიკაშვილის ჯარმა (13 ათ. კაცი) თურქთა ლაშქარი (34 ათ. კაცი) დაამარცხა. 19 ივლ. რუს. ჯარმა ბაიაზიდი აიღო. ამ დროს შამილის არმიამ შეძლო სიმაგრეთა ხაზის გადმოლახვა და საქართველოში შეიჭრა. იგი სოფ. წინანდლამდე მივიდა. მაგრამ აქ შეაჩერეს და უკუაქციეს. შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ისახელა ქართველთა ლაშქარმა. 24 ივლ. ქურუქ-დართან ბრძოლაში ოსმალთა 60-ათასიანი არმია დამარცხდა.

1855 ივნისში რუს. ჯარმა ალყა შემოარტყა ციხე-ქალაქ ყარსს და ამით საფრთხე შეუქმნა ოსმ. ძირითად ცენტრებს. ყარსის გადასარჩენად ოსმალებმა ინგლ. და ფრანგების დახმარებით სევასტოპოლის აღების შემდეგ, სექტ. დასაწყისში, სოხუმში 5-ათასიანი ჯარი გადმოსხეს ომარ-ფაშას მეთაურობით. ოსმალთა ამ ძალების წინააღმდეგ მებრძოლ რუს-ქართველთა ჯარებს გენ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი სარდობდა. 23—25 ოქტ. მდ. ენგურზე გაიმართა ბრძოლა, რ-მაც დიდად შეასუსტა ოსმალთა ლაშქარი, მაგრამ მისი შეჩერება ალთა სიმცირის გამო ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ვერ შეძლო და მდ. ცხენისწყალზე დაიკავა ახ. პოზიცია. ოსმალებმა თითქმის მთლიანად აიღეს სამეგრელო. დას. საქართველოში პარტიზ. ბრძოლა გაჩაღდა. 1855 წ. 16 ნოემბ. რუს. ჯარს (გენ. ნ. მურავიოვი) ყარსის გარნიზონი დანებდა. რუსთა მაშველი ჯარებისა და საქართვ. მოსახლეობის პარტიზ. ბრძოლებით შევიწროებულმა ომარ-ფაშამ უკან დაიხია. 1856 თებ. იგი სოხუმზე გავლით ზღვით ტრაპიზონისაკენ გაემართა.

ადიღეელები კვლავ აგრძელებდნენ ანტიკოლონ. ბრძოლას და უტევდნენ საკუთარ მიწა-წყალზე აგებული სიმაგრეების ხაზს, მაგრამ მათ უარი თქვეს ოსმ. ქვეშევრდომობაზე და არ მიემხრნენ ოსმ.-ინგლ., საფრ.-ანტირუს. კოალიციას. შამილის იმამატი კი ღრმა კრიზისს განიცდიდა, თავი იჩინა სოც. წინააღმდეგობამ; შამილის ნაიბები ფაქტობრივად ფეოდალებად იქცნენ, რაც გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევდა. ხალხი თანდათან განუდგა შამილს, ხანგრძლივმა ბრძოლამ და დიდმა მსხვერპლმა აჯანყებულთა რიგები შეამცირა და დაასუსტა.

1856 ახალდანიშნულმა მთავარსარდალმა ა. *ბარიატინსკიმ* ახ. ძალით შეუტია იმამატს. 1859 თითქმის მთელი ჩაჩნეთი და მთიანი დაღესტანი რუსთა ჯარებმა დაიკავეს. იმავე წლის გაზაფხულზე შამილის ჯარს ალყა შემოარტყეს აულ ვედენოში. მცირე რაზმით იგი დაღესტნის აულ ღუნიბში გამაგრდა, მაგრამ 1859 წ. 26 თებ. რუსთა ჯარს დანებდა. შამილი თავისი ოჯახით კალუგაში დაასახლეს, ხოლო 1870 მექაში წასვლის ნება დართეს.

ჩრდ.-დას. კავკასიაში ადიღეელთა წინააღმდეგ კვლავ იბრძოდა რუსთა ჯარი. 1858 აქ კორდონების ხაზები დაწესდა მდ. ბელაიის გასწვრივ, სადაც 1857 ქ. მაიკოპი დაარსდა, ხოლო ყუბანის გადმოღმა კაზაკთა ახ. სტანიცები გაჩნდა. ცარიზმი კავკასიაში ხალხთა გადასახლების პოლიტიკას ახორციელებდა.

1859 ნოემბ. რუს ხელისუფლებას ადიღეელთა აჯანყების მოთავე მუჰამედ-ემინიც დაჭერდა. 1860 ადიღეელთა ტომის — ნათხვაჯების, ხოლო 1862—64 აბაძეხების, შაფსუღებისა და უბიხების წინააღმდეგობაც გატეხეს. 1864 წ. 21 მაისს რუს. ჯარმა მდ. მზიმთის სათავეში მთიელთა ბრძოლის უკანასკნელი კერა — კბაადა დაიკავა. ეს თარიღი კ. ო-ის დასასრულად ითვლება.

წყარო: Акты, собранные Кавказской археографической коммиссией, т. 1—12, Тфл., 1866—1904; Движение горцев Сев.-Вост. Кавказа в 20—50 гг. XIX в. Сб. документов, Махачкала, 1959; Кавказ. Сб., т. 1—3, 6—32, Тфл., 1876—1912.

ლიტ.: ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე ე., ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960; ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ა., რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1955; საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), ტ. 1—2, თბ., 1958—62; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4—5, თბ., 1970—73; Д у б р о в и н Н. Ф., История войны и владычества русских на Кавказе, т. 1—6, СПб., 1871—88; П о т т о В. А., Кавказ. Война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, 2 изд., т. 1—5, СПб. — Тфл., 1887—99; С м и р н о в Н. А., Мюридизм на Кавказе, М., 1963. *გ. პაიჭაძე.*

კავკასიის საეკლესიო საზოგადოება, ჩამოყალიბდა 1864 აპრილში მოწინავე ქართველ და რუს ექიმთა (პ. სობოლშჩიკოვი, გ. დავრიშევილი, ი. დეპენერი, ზ. ზუბალაშვილი, ს. ბასტაბაშვილი, ი. პრიბილი, ე. გომბალტი, ი. ჩიგიანი, ი. სააკაშვილი და სხვ.) თაოსნობით. კ. ს. ს-ის ყურადღების ცენტრში იყო საქართვ. და კავკასიის კლიმ.-ბალნეოლ. რესურსების, სამხარეო პათოლ., მოსახლეობის ანთროპოლ., ეთნოგრ. და ხალხური მედიცინის შესწავლა. კ. ს. ს. ოქმებისა და შრომათა კრებულების სახით აქვეყნებდა საზ-ბის სხდომებზე მოსმენილ მოხსენებებს. საზ-ბის საპატიო წევრები იყვნენ *რ. ვირხოვი*, ნ. *პიროგოვი*, *ი. თარხნიშვილი*, რ-ებიც ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს მის კრებულებში. კ. ს. ს. ორჯერ დაჯილდოვეს მედლებით მოსკოვისა და ვენის საერთაშ. გამოფენებზე. საზ-ბამ 1928-მდე იარსება და მოაწყო ექიმთა 2 ყრილობა (1893, 1901).

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1970. *მ. შენგელია.*

კავკასიის სასწავლო ოლქი, დაარსდა 1848, სათავეში ედგა მზრუნველი. კ. ს. ო. პირველად შედგებოდა 4 დირექციისაგან: თბილ., ქუთ., სტავროპოლისა და შავიზღვისპირეთის. 1860 მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ კ. ს. ო. გააუქმა და სკოლების მმართველობა გუბერნიებს დაანდა. ეს ღონისძიება მიზანშეწონილი არ გამოდგა და 1864 დააარსეს კავკ. სასწ. დაწესებულებების ინსპექცია, ხოლო 1868 აღადგინეს კ. ს. ო. და 6 დირექცია დააწესეს: თბილ., ქუთ., ბაქოს, ერევნის, სტავროპოლის და ყუბანის. ელიზავეტპოლის (განჯის) გუბერნიის სკოლები ემორჩილებოდა თბილისის სასწავლებელთა მმართველობას. 1872 კავკ. სასწავლებელთა მართვის ახ. დებულებით, კ. ს. ო-ის კონტროლს დაექვემდებარა არა მარტო ოფიც., არამედ საზ. და კერძო სკოლებიც. შეიქმნა სამზრუნველო საბჭო, დაწესდა 2 ინსპექტორის შტატი, დამატებით შეიქმნა ელიზავეტპოლის გუბ. სკოლების დირექცია. ადგილ. სასწ. სისტემა მთლიანად გაუთანაბრდა რუს. იმპერიაში მოქმედ სისტემას. ყველა სასწ. ოლქი, მ. შ. კ. ს. ო., გაუქმდა 1918. *ნ. პაპავა.*

კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, დაარსდა 1850. მან შეცვალა 1833—49 თბილისში არსებული „სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის და ვაჭრობის საზოგადოება". კ. ს. მ. ს-ს, როგორც მთავრობის, ისე „განათლებულ კერძო პირთა და მემამულეთა" დახმარებით ხელი უნდა შეეწყო სოფ. მეურნ. განვითარებისათვის. იგი მიზნად ისახავდა მარცვლეულის წარმოების, მებაღეობის, მებოსტნეობა, მევენახეობა-მეღვინეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის გაუმჯობესებას, ახ. იარაღ-მანქანების გავრცელებას, მორწყვის სისტემის სრულყოფას, უცხო ქვეყნების მიღწევათა დანერგვას, სპეციალისტების მოწვევას, სპეც. და ტექ. კულტურების — მეთამბაქოეობის, მებამბეობის და სხვ. გავრცელება-განვითარებას; მემცენარეობისა და მეცხოველეობის საუკეთესო ჯიშების, თესლების, ნერგების შემოტანასა და გავრცელებას; სოფ. მეურნ. პროდუქციისა და იარაღების გამოფენათა ორგანიზაციას, მემამულურ-სავაჭრო მიწათმოქმედების წახალისებას, სოფ. მეურნ. პროდუქციის ტექ. გადამუშავების, საოჯახო მრეწვ. და ხელოსნობის გაუმჯობესებას. კ. ს. მ. ს-ს თავდაპირველად სახელმწიფო მოხელეები მეთაურობდნენ, რ-ებიც ნაკლებად იცნობდნენ ადგილ. პირობებს და სოფ. მოსახლ. ძირითადი მასის ინტერესებს, ამიტომაც დასავლეთის რაციონალური მეურნეობის მიღწევების გადმონერგვის მათი „კაზიონური" ცდები მეტწილად არაეფექტური იყო. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კ. ს. მ. ს-ს ეფექტური გამოცოცხლება დაეტყო. XX ს. დასაწყისიდან კ. ს. მ. ს. ცდილობდა განვითარებინა სავაჭრო მიწათმოქმედება, რათა ცენტრ. სამრეწვ. გუბერნიები მოემარაგებინა „სამხრეთის კლიმატის" სპეცტექ. კულტურათა იაფი პროდუქტებით, კავკასიაში დაბანაკებული ჯარის ნაწილები — სურსათ-სანოვაგით და სხვ.

კ. ს. მ. ს., სოფ. მეურნ. გაუმჯობესების მიზნით აწყობდა საკლიმატიზაციო ბაღს, მეთესლეობის დეპოს, საცდელ-საჩვენებელ მინდვრებს, ფერმებს, ამზადებდა პრაქტიკოს მებაღეებს, ქმნიდა ადგილ. და უცხ. მცენარეების კოლექციას და ცდი-

კავკასიონი

უმაღლესი მწვერვალები (მეტრობით)

ცენტრალური კავკასიონისა	
იალბუზი	5642
დიხთაუ	5206
ყოშხანთაუ	5152
შხარა	5068
ჯანღა	5059
მყინვარწვერი	5033
შოთა რუსთაველის მწვერვალი	4860
კათინთაუ	4970
გისტოლა	4860
თეთნულდი	4858
დასავლეთ კავკასიონისა	
დომბაი-ულგენი	4046
აღმოსავლეთ კავკასიონისა	
დაქუეი ანუ ტებულოს მთა	4493
აზერბაიჯან-დაღესტნის კავკასიონისა	
ბაზარდუზუ	4466

მნიშვნელოვანი უღელტეხილები

მარუხისა
კლუხორისა
ნაკრისა (დონლუზორუნისა)
ბეზოსი
მესტიისა
როკისა
მამისონისა
ჯვრისა
ყაღორისა

მთავარი მდინარეები

სამხრეთ ფერდობისა

შახე
მზიმთა
ბზიფი
კოდორი
ენგური
რიონი (შენაკადებით—ცხენისწყალი, ჯეჯორა, ყვირილა)
ლიახვი
ქსანი
ლეხურა
არაგვი
იორი
ალაზანი
ქურმუხისწყალი
ალინჯაჩაი
თურიანჩაი
გოჭჩაი
ფირსაათი

ჩრდილოეთ ფერდობისა

ყუბანი (შენაკადებით—
აფიფსი
ფსეყუფსი
ფშიში
ბელაია
ლაბა
ურუფი
ზელენჩუკი)
თერგი (შენაკადებით—
ბაქსანი
ჩერეკი
ჩეგემი
ურუხი
არდონი
ასა
არღუნი)
სულაკი (ოთხი
მდგენელი ყოისუთი)
სამური
ყარაჩაი

ლობდა მათ დანერგვას და გავრცელებას; მიწათმოქმედებას ამარაგებდა გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებით და სხვ.

ჰ. ს. ზ. ს-ის საქმიანობა თანდათან გასცდა თბილ. გუბერნიის ფარგლებს; 1884 ქუთაისში გახსნა თავისი პირველი განყ-ბა; XX ს-იდან კი განყ-ბები გახსნა ამიერკავკ. სოფ. მეურნ. ყველა მნიშვნელოვან ცენტრში, სადაც აგრონ. და სხვ. სახის დახმარებას უწევდა უპირატესად მსხვილ მემამულეებს. პოლიტიკურად და ეროვნულად ჩაგრულ, ეკონომიკურად დაბაბუნებულ ღარიბ გლეხობას არ გააჩნდა არც ნივთიერი შესაძლებლობა და არც სათანადო ცოდნა, რომ გამოეყენებინა ჰ. ს. ზ. ს-ის მიერ შეთავაზებული დახმარება.

ჰ. ს. ზ. ს-ის (1850—1918) მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი კვალი დაიჩნია კავკასიაში სოფ. მეურნ. განვითარების საქმეს.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, ტ. 3—4, თბ., 1959—65; მ ი ს ი ვ ე, Сельское хозяйство и аграрные отношения (Соц.-экон. история Грузии и Закавказья. Источники), т. 1—4, Тб., 1937—55; И о с е л и а н и И., Обзор деятельности Императорского Кавказского общества сельского хозяйства за пятьдесят лет. 1850—1900, в. 1, Тфл., 1901. *ჰ. გუგუშვილი.*

კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების I ყრილობა, იხ. *რსდმპ კავკასიის კავშირის I ყრილობა.*

კავკასიის სოციალ-რევოლუციური საზოგადოება, ქართველ და სხვა კავკასიელ ახალგაზრდათა ფარული რევოლუციურ-ხალხისნური ორგანიზაცია. ჩამოყალიბდა 1873—74. ფართო რევ. მუშაობა გაშალა 1875—76. საზ-ბის ბირთვი გახდა გორის წრე, რ-იც 1872—73 შეიქმნა. 1874—75 მასში გაერთიანდნენ თბილ., ქუთ., კახეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, ვლადიკავკაზის წრეები, კავკ. სხვადასხვა კუთხეში მომუშავე ხალხოსანთა ჯგუფები და ცალკეული ხალხოსნები. ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული და ემორჩილებოდნენ საერთო ხელმძღვანელობას. საზ-ბას საქმიანი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა სრულიად რუს. სოც.-რევ. ორგანიზაციასთან, რ-საც კავკ. ახალგაზრდები ხელმძღვანელობდნენ. საზ-ბის ხელმძღვანელ ცენტრში — ადმინისტრაციაში შედიოდნენ ნ. ქიქოძე, ე. იოსელიანი, მ. ყიფიანი. მათ ერთმანეთთან სისტემ. მიმოწერა ჰქონდათ საიდუმლო შრიფტით. პერიოდულად აწყობდნენ თათბირებს, რ-ებსაც ადგილ. ხალხოსნური წრეების აქტ. წევრებიც ესწრებოდნენ. 1876 მაისში მ. ყიფიანის თავ-რეობით ქუთაისში ჩატარდა საზ-ბის გაფართოებული თათბირი, რ-მაც ვ. გაბიჩვაძეს დაავალა საზ-ბის პროგრამის პროექტის შედგენა. საზ-ბას ჰქონდა წესდება, რ-ის ფრაგმენტმაც „ჯამის წესდების" — სახით ჩვენამდე მოაღწია. წესდების მიხედვით, იგი მტკიცედ დარაზმული, დისციპლინიანი, კონსპირაციული, ცენტრალიზებული ორგანიზაცია იყო. მისი წევრები რევ. პროპაგანდას ეწეოდნენ გლეხობასა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. პროპაგანდისათვის იყენებდნენ როგორც რუსულიდან თარგმნილ აკრძალულ წიგნებს, ისე თავის დაწერილ წერილებსა და პროკლამაციებს. საპროპაგანდო მასალას ბეჭდავდნენ საზ-ბის არალეგალურ სტამბაში, რ-იც სოფ. ტყვიავში მუშაობდა ხალხოსან ვ. სამადაშვილის ხელმძღვანელობით. საზ-ბა გურიაშიც აპირებდა სტამბის გამართვას. ამისათვის საზღვარგარეთიდან გამოიწერეს და ბათუმში ჩამოიტანეს სასტამბო მოწყობილობა, მაგრამ დაწყებული რეპრესიების გამო ეს ვერ განხორციელდა. ორგანიზაცია გასცა მოღალატემ. 1876 წ. 6 ოქტ. მთელ კავკასიაში დაიწყო რევოლუციონერთა დაპატიმრება, რაც 1878-მდე გაგრძელდა. დააპატიმრეს 80-ზე მეტი კაცი, მ. შ. მრავალი ქალი. პასუხისგებაში მიეცემულთაგან 38 კაცი გამოძიების პერიოდშივე გაათავისუფლეს, 32 კაცი ადმ. წესით დასაჯეს. მთავარ ხელმძღვანელებს ე. იოსელიანსა და მ. ყიფიანს ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს.

წყარო: გ ი ო რ გ ა ძ ე გ., თვითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870—1902), წგნ. 1, ტფ., 1929.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. მეორე ნახ.), თბ., 1967; შ ვ ე ლ ი ძ ე ზ., ამიერკავკასიელები „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში" (1874—1876 წწ.), თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, რევოლუციურ-ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, თბ., 1927. *ზ. შველიძე.*

კავკასიონი (ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებდა „კავკასს", „კავკასიას". ჰ. ეწოდა XX ს-ში), კავკასიის ყელის ირიბად გადამღობი თითქმის სწორხაზოვანი მთაგრეხილი (მთათა სისტემა), რ-იც თავისი ბოლოებით — ტამანისა და აფშერონის ნ.-კ-ებით შეჭრილია, ერთი მხრივ, აზოვისა და შავ ზღვას შორის, მეორე მხრივ, კასპიის ზღვის შუა და სამხრ. ნაწილებს შორის. შედის საქ. და აზერბ. სსრ-ების, რსფსრ კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ყაბ.-ბალყ., ჩრდ. ოსეთის, ჩაჩნ.-ინგ., დაღ. ასსრ-ების და ყარაჩაი-ჩერქეზეთის აო ტერიტორიაში.

კ. მნიშვნელოვანი კლიმატგამყოფია, რ-ის მეობებითაც ამიერკავკასია დაახლ. 3 გრადუსით უფრო თბილია, ვიდრე ამ დამცველი კედლის გარეშე იქნებოდა. მთაგრეხილის მნიშვნელოვან მონაკვეთებზე ის ისტ.-ეთნოგრ. მიჯნასაც ქმნის ჩრდ. კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხთა შორის, თუმცა სხვა მონაკვეთებზე მას ვერ დაუბრკოლებია მოსახლეობის განსახლება (მაგ., ხევსურეთში, თუშეთში, ოსეთში, ხევში). კ-ის მაღალ ნაწილში სრულწლიური სატრანსპ. მიმოსვლისათვის ვარგისი გზები არ არის.

რელიეფი. კავკასიონის ოროგრაფიულ ღერძს წარმოადგენს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, რ-იც უწყვეტად ერცელდება სისტემის ერთი ბოლოდან მეორემდე. ამ ქედის თხემით კ. იყოფა ჩრდ. და სამხრ. მაკროფერდობებად, რ-თაგან პირველი შედის მდ-ების ყუბანის, თერგის, სულაკისა და სამურის აუზებში, მეორე—ბზიფის, კოდორის, ენგურის, რიონის, მტკვრისა და მთელ რიგ მცირე მდინარეთა აუზებში. ორივე ფერდობი გართულებულია მეორე თანრიგის ქედებითა და ხეობებით, რ-ებიც ღერძულ ზონაში ქმნიან მაღალმთიან, ხოლო პერიფერიულ ზონებში — საშუალმთიან რელიეფს. ჩრდ. ფერდობის გასწვრივი ქედებია: გვერდითი, კლდოვანი ანუ კირქვიანი, საძოვრებიანი და ტყიანი, რ-ებიც მთავარი ქედის პარალელურია, აგრეთვე შავანის, კიდეგანის, ხევსურეთის, ანდის, ბოლოზის გარდიგარდმო ქედები; სამხრული კალთის — გაგრის, ბზიფის, კოდორის, სვანეთის, ეგრისის, ლეჩხუმისა და რაჭის გასწვრივი; ლიხის, ხარულის, ალევის, ქართლისა და კახეთის გარდიგარდმო ქედები. კ-ის ოროგრაფიულ სიმეტრიას არღვევს ჩრდ. ფერდობი, რომელიც უფრო განიერია კახეთ-დაღესტნის არეში. კ-ის მრავალი მწვერვალი მოდელირებულია ძველი ეროზიის, მყინვარული და პერიგლაციალური პროცესების მოქმედებით.

კ-ზე გავრცელებულია ნაირგვარი გენეზისის რელიეფის ტიპები და ფორმები, ძირითადია: ეროზიული რელიეფი ნაირნაირი მორფოსტრუქტურების საფუძველზე, რ-იც გართულებულია ვულკანური, მყინვარული, პერიგლაციალური, კარსტული და სხვ. გენეზისის ფორმებით. არის ეროზიულ რელიეფზე დადგმული ვულკანური პლატოები, კონუსები, ღვარები. პერიგლაციალურ ფორმათა განვითარების მთავარ კერას წარმოადგენს ყელის ზეგანი. კარსტულ ფორმებს — პოლიეებს, ქვაბულებს, ძაბრებს, მღვიმეებს, შრატულ ზედაპირებს დიდი ფართობი უკავია დას. და ცენტრ. კ-ის სამხრ. ფერდობზე და ჩრდ. ფერდობზე — ყარაჩაიდან დაღესტნამდე. კ-ის ბევრ რეგიონში წარმოქმნილია მინერალური წყაროების მიერ დალექილი ტრავერტინის დანაგროვები (თრუსო, სამხრ. ოსეთი, ჯვრის უღელტეხილი). დაღესტანში და სხვ. არის ხელოვნური ტერასები.

გეოლოგიური აგებულება. კ-ის მეგანტიკლინორიუმი ძირითადად აგებულია მეზოზოური ნალექი ქანებით. მათგან უმეტესი ფართობი იურულ ტერიგენულ წყებებს უჭირავს (შუაიურულში ფართოდაა გავრცელებული ვულკანოგენური პორფირიტული წყება, ხოლო ზედაიურულში — კარბონატული ფაციესი). ცარცული ნალექები, რ-თა მნიშვნელოვანი ნაწილი კარბონატული ფაციესისაა, უმთავრესად კ-ის პერიფერიულ ნაწილებსა და ბოლოებშია გავრცელებული. მეზოზოურის გარდა, ცენტრ. კ-ზე (მდ. ბელაიის სათავეებიდან მამისონის უღელტეხილამდე) გაშიშვლებულია პალეოზოურ-პროტეროზოური კრისტ. ქანები (გრანიტოიდები, გნაისები, მეტამორფული ფიქლები), რ-ებითაც აგებულია კ-ის ღერძული ზოლი და უმაღლესი მასივები. მთიანეთის შიგნით მდებარე ზოგიერთ ქვაბულში (შეფარდებითი დაძირვის არეებში) განვითარებულია პალეოგენური და ქვედაეოგენური ნალექი ქანები. იალბუზისა და ხევ-მთიულეთის რეგიონები, აგრეთვე მდ-ების რიონისა და არაგვის აუზთა ნაწილები გამოირჩევა ზედაპლიოცენურ-პლეისტოცენური და ჰოლოცენური ეფუზიების გავრცელებით. პლეისტოცენ-ჰოლოცენური ნაფენები არის მაღალმთიან ზოლში მორენების (რ-ებიც აფხაზეთ-სვანეთის ზოგიერთ ხეობაში ზ. დ. 1000 *მ* სიმაღლემდე და უფრო დაბლაც ჩამოდიან), ქვაბულების ფსკერისა და ტერასების ალუვიონის, ფრაგმენტულად განვითარებული ტბიური ნალექების, კარსტული მღვიმეების (მაგ., კუდაროსა და წონის) ბუნებრივი და კულტ. ნაფენებისა და პერიგლაციალური რელიქტური ლოდნარების და სხვ. სახით. კ-ის რთული ტექტონ. აგებულებისაა. მის სტრუქტურაში მონაწილეობენ სხვადასხვა ფორმის ნაოჭები, რღვევები, ნასხლეტ-შეცოცებანი. ამ უკანასკნელებთან დაკავშირებულია მინერ. წყლის მრავალი გამოსავალი (განსაკუთრებით ხევში, სამხრ. ოსეთში, ზემო რაჭასა და სვანეთში).

ჰავა. კ-ის ჰავა ცვალებადობს როგორც სიმაღლებრივი, ისე ჰორიზ. მიმართულებით. აბსოლ. სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპ-რა კლებულობს (საშ. წლ. ტემპ-რა სოხუმში ულრის 15°C, გუდაურში 2200 *მ* სიმაღლეზე 2,1°C, ყაზბეგის მაღალმთიან სადგურზე 3700 *მ* სიმაღლეზე — 6,1°C). განსაზღვრულ სიმაღლემდე (2500 — 3000 *მ*-მდე) მატულობს ნალექიანობაც. კ-ის დას. ნაწილი გამოირჩევა უხვი ნალექებით (გაგრის ქედზე 2300 *მმ*, აჟარაში — 1800 *მმ*). ზღვისაკენ მიპყრობილი ფერდობების ზოგიერთ ნაწილში ნალექების წელიწადში 3000—4000 *მმ* უნდა აღწევდეს. აღმ-კენ იგი კლებულობს და სა. ქართველოს სამხედრო გზატკეცილის აღმ. ით თითქმის არსად აღემატება 1800 *მმ*. კ-ის სამხრ. ფერდობი უფრო ნალექიანია, ვიდრე ჩრდ. ფერდობი. სიმაღლესთან ერთად მატულობს თოვლის საფრის ხანგრძლივობა (დაბა ყაზბეგში — 104 დღე, თუშეთის ობალოში — 121 დღე, მესტიაში — 134 დღე, ლებარდეში—164, მაღალმთიან ყაზბეგში — 277 დღე). თოვლის საფრის სისქე მაღალ ადგილებში რამდენიმე მეტრს აღწევს (ლებარდეში—5 *მ*; აჩიშხოს მთა-

ე—7 θ). ზვავიანობა ახასიათებს ყველა
ალმთიან და ბევრ საშუალომთიან
-ნს.

შიგა წყლები. კ-ზე მდინარეული ჩა-
ონადენი მაღალია. მაღალმთიანი ზოლის
ას ნაწილის სამხრ. ფერდობზე (აღმ.
ფხაზეთში, დას. სვანეთში და მთიან სა-
ეგრელოში) ჩამონადენის მოდული 80—
00 ლ/წθ უდრის ერთ კθ²-იდან. ჩრდ. ფე-
დობზე და აღმ. ნაწილში იგი ეცემა 30—40
/წθ-მდე და მზოლოდ კახეთში აღწევს 70
/წθ. მაღალმთიანი ზოლის მდ-ები—ენგუ-
ი, რიონი, კოდორი, თერგი, ყუბანი საზ-
დოობენ მნიშვნელოვანწილად მყინვა-
ებით. მაქს. ხარჯი მათ ზაფხულობით
ვთ. დანარჩენ მდ-ებს წყალდიდობა გა-
აფხულზე აქვთ. კ-ზე არის მყინვარული
ოებერდა, ტობავარჩხილი, ადუღდაამი-
, ყვარაში), კარსტული (ცერქოლი,
ბწო). ნგრევით შეგუბებული (რიწა, ამ-
ყელი, ქვედი), ვულკანური (ყელის ზეგ-
ს ტბები) და სხვ. გენეზისის ტბები.
ის კირქვულ რ-ნებში ბევრია მიწისქვეშა
ინარე (ამტყელი, თურჩუ-ტობა, შაორი-
რეულა, ბუჯა, ხეორი), უზარმაზარდე-
ტიანი წყაროები ანუ ვოკლუზები (წაჩ-
ი, რეჩხი, მჭიშთა, ილორი და სხვ.).
ოიანეთი მდიდარია მინერალური წყა-
ებით, რ-თა უმრავლესობა მიეკუთვნება
ვი ნახშირმჟავა წყლების ტიპს. არის
ერმული უნახშირმჟავო (თორღვას აბა-
, შატილი) და ცივი უნახშირმჟავო (რა-
—ლეჩხუმში, აფხაზეთში და სხვ.) წყლე-
ს გამოსავლებიც.

ლანდშაფტები. კ-ის ლანდშაფტები ერთ-
ნეთს ცვლის უმთავრესად ვერტიკალური
მართულებით და ქმნის კლაკნილსა და
ძელ ვიწრო ზონებს (სარტყლებს). გარ-
ამისა, ლანდშაფტები ცვალებადობს
ვისგან დაშორების, ფერდობთა ექსპო-
ციისა და სხვა პირობების მიხედვით.
ანდშაფტური ზონების სისტემის შედგე-
ლობა კ-ის სხვადასხვა ნაწილში სხვა-
სხვაა. გავრცელებულია აგრეთვე აზო-
ლური (მაგ., ვულკანური, კარსტული)
ანდშაფტები. ქვევიდან ზევით გამოხა-
ელია შემდეგი ლანდშაფტი: კოლხური
ის შერეული ფოთლოვანი (მუხა, რცხი-
ა, წაბლი) ტყე, მარადმწვანე ქვეტყით
ქერი, წყავი, ბზა, ჭყორი) და ლიანებით;
ფლნარი; ნაძვნარ-სოჭნარი; მთის მდე-
ოები; სუბნივალური ჭიუხებისა და ლორ-
ალ-ლოდნარების ლანდშაფტი; ნივალუ-
(ჭიუხ-მყინვაროვანი). მდ-ების ლიახ-
სა და ბაქსანის აღმ-ით მუქწიწვიანი ტყე
ლეული რელიქტური ფრაგმენტების სა-
თ გვხვდება (ნარი — ჩრდ. ოსეთში, კა-
ლხევი — ფშავში), ტყის ზედა სარტ-
ლში კ-ის სამხრ. კალთებზე ბატონობს
ფლნარი, ხოლო ჩრდილოეთისაზე—
ჭვნარი და ფიჭვნარ-არყნარი. კახეთის
ეებში შემორჩენილია სურო, წყავი,
ორი. არის ურთხლისა და ძელქვის რე-
ქტური კორომებიც (ბაწარის ხეობა,
ფ. ბაბანეურის მიდამოები). აზერბაი-
ნსა და დაღესტანში კ-ის ქვედა ზონა
როფიტულ ბუჩქნარს, ტყესტეპსა და
ეპს უჭირავს. სტეპები დაღესტნის შიდა
ნელში დიდ სიმაღლეებზეც გვხვდება.
ანდშაფტური ზონების საზღვრები აღმ-
ი მაღლდება და ისეთ დონეებზე, რ-ებზეც
ხაზეთში ჭიუხ-მყინვაროვანი ლანდშაფ-
მეფობს, თუშეთსა და აზერბაიჯან-
ღესტანში აღპ. მდელოებია გადაშლი-
, ხოლო კოლხეთის ტყის დონეზე იქ
ეპია. აზონალური ლანდშაფტები გან-
ხარეულია ყელის ვულკ. ზეგანზე. თა-
ებური პერიგლაციალურ-კარსტული
ნდშაფტია არაბიკის მასივის აღპ. ზო-
ი, სადაც ძაბრებთან ერთად მუდმივი
ფლყინულის შემცველი მღვიმეები და
ტებიც გვხვდება.

ლიტ.: კავკასიონზე. კრებული, თბ.,
9; Гвоздецкий Н. А., Кавказ,
, 1963; Merzbacher G., Aus den
Hochregionen des Kaukasus, Bd. 1—2, Lpz.,
1901

ლ. მარუაშვილი.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 336—
337.

„კავკასიონი“ ქართული ყოველთვი-
ური ჟურნალი, საქართველოს მწერალთა
კავშირის ორგანო, გამოდიოდა თბილის-
ში 1924. გამოვიდა 4 ნომერი; თანამშრომ-
ლობდნენ კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშ-
ვილი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, შ.
დადიანი, დ. კლდიაშვილი, ს. აბაშელი,
კ. ჭიჭინაძე, ა. არსენიშვილი, ს. ცირეკი-
ძე, ვ. გაფრინდაშვილი, ნ. ლორთქიფანი-
ძე, კ. მარჯანიშვილი, ი. ნიკოლაძე,
გ. ვ. წერეთელი და სხვ. გამომცემელი —
მწერალთა კავშირის საბჭო; რედაქტო-
რი — პ. ინგოროყვა. 1925-დან ჟურნალი
გამოდიოდა *„ახალი კავკასიონის“* სახელ-
წოდებით.

ი. ლორთქიფანიძე.

**კავკასიონის მთავარი ქედის ანტი-
კლინორიუმი,** კავკასიის ერთ-ერთი მთა-
ვარი გეოტექტონიკური ერთეული. ჩამო-
ყალიბდა ალპური ტექტოგენეზისის დროს
კავკასიონის გეოსინკლინის დანაოჭებისა
და აზევების შედეგად. შედგება ცენტრ.
აზევებისა და დას. და აღმ. დაძირვის ზო-
ნებისაგან. ცენტრ. აზევების ზონა აგებუ-
ლია ძლიერ დისლოცირებული კამბრიუ-
ლისწინა, ქვედა- და შუაპალეოზოური მე-
ტამორფული ქანებითა და პალეოზოური
გრანიტოიდებით. დას. და აღმ. დაძირვის
ზონებში განვითარებულია ძირითადად ქვე-
და-და შუაიურული ასაბლური ფორმაცია და
აგრეთვე (დას. დაძირვის ზონაში) ზედაი-
ურულ-ცარცულ-ქვედაპალეოგენური ფლი-
შური ფორმაცია.

ე. გამყრელიძე.

**კავკასიონის მთავარი წყალგაყო-
ფი ქედი,** უწყვეტი ქედი, კავკასიონის
სისტემის ოროჰიდროგრაფიული ღერძი,
რ-იც ყოფს ჩრდილო კავკასიისა და ამი-
ერკავკასიის მდინარეთა აუზებს. უმაღლე-
სი მწვერვალია შხარა (5068 θ). მდ. ბე-
ლაიის (ყუბანის მარცხ. შენაკადი) სათა-
ვეებსა და ადაი-ხოხის მთათა ჯგუფს შო-
რის. ქედი აგებულია პალეოზოურ-პრო-
ტეროზოური კრისტალური ქანებით, სხვა-
გან — ძირითადად მეზოზოური თიხაფიქ-
ლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. მნი-
შვნელოვანი ულელტეხილებია: ჯვრის (ხე-
ვისყელის), მამისონის (ჭანჭახის), კლუ-
ხორისა და სხვ. დამახასიათებელია მთა-
ტყის, სუბალპ., ალპ. და გლაციალურ-ნივ-
ალური ლანდშაფტები. იხ. აგრეთვე *კავკა-
სიონი.*

ლ. მარუაშვილი.

**კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნა-
ოჭა სისტემა,** კავკასიის ერთ-ერთი მთა-
ვარი გეოტექტონიკური ერთეული. ჩამო-
ყალიბდა ალპური ტექტოგენეზისის დროს
კავკასიონის სამხრ. ფერდის გეოსინკლი-
ნის დანაოჭებისა და აზევების შედეგად.
გამოყო პ. *გამყრელიძემ* 1949. კ. ს. ფ.
ნ. ს. ჰეტეროგენული გეოტექტონიკური
ერთეულია და შედგება ყაზბეგ—ლაგოდე-
ხის, მესტია—თიანეთის (ჭიათურა—დიბრა-
რის), ჩხალთა—ლაილისა და გაგრა—ჯვა-
ვის ერთმანეთისაგან სილრმული რღვე-
ვებით გამოყოფილი ტექტონ. ზონებისა-
გან. კ. ს. ფ. ნ. ს. აგებულია სილურული
(?), დევონური, ზედაპალეოზოური, ტრი-
ასული, ქვედა- და შუაიურული ტერიგენუ-
ლი, შუაიურული ვულკანოგენური, აგრეთ-
ვე ზედაიურული, ცარცული და პალეო-
გენური ფლიშური კარბონატულ-ტერიგე-
ნული ფორმაციებით. კ. ს. ფ. ნ. ს. ინ-
ტენსიურადაა დისლოცირებული და შედ-
გება მრავალი ასიმეტრიული სამხრ-კენ
გადახრილი, გადაბრუნებული და შეცო-
ცებებით გართულებული კავკასიონური
მიმართების ნაოჭისაგან. კ. ს. ფ. ნ.
ს-ის აღმ. ნაწილი (მესტია—თიანეთის ზო-
ნა) შარიაჟული აგებულებისაა.

ე. გამყრელიძე.

კავკასიური ბელადონა, შ ვ ა გ ა
(Atropa caucasica), მცენარე ძაღლყურ-
ძენასებრთა ოჯახისა. A. belladona-ს
მონათესავეა, მაგრამ, მისგან განსხვავე-

კავკასიური ფურკამეჩი.



„კავკასიონი“. 1924 წ.
№ 1—2.

კავკასიური ბელადონა.

კავკასიური მოცვი.

კავკასიური ნაგაზი.

ბით, შეუბუსავი, ლეგა ნაფიფქით დაფა-
რული ღერო და უფრო დიდი მოიისფრო-
მოწითალო ყვავილები აქვს. გავრცელე-
ბულია კავკასიაში, აგრეთვე თურქეთისა
და ირანის მომიჯნავე რ-ნებში; საქართვე-
ლოში — კოლხეთში, ქართლსა და შიგა
კახეთში. იზრდება მთის შუა სარტყლამ-
დე ტყეში (განსაკუთრებით წიფლნარში),
მეტ-ნაკლებად ჩრდილიან და ტენიან ად-
გილებში, ტყის პირებზე, ველობებზე,
ნაკაფებზე, ნახანძრალებზე და სხვ. სამ-
კურნ. თვისებებით *ბელადონას* მსგავსია
და სავსებით ცვლის მას (ალკალოიდები
კ. ბ-ში კიდევ უფრო მეტია). ფოთოლს
აგროვებენ მაისის დამლევიდან ივლისამ-
დე (ჩვეულებრივ ყვავილობის დაწყები-
სას). ფესურების შეგროვება სასურველია
მაისში ან შემოდგომაზე. მოჰყავთ ღრმა,
ფხვიერ, ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე (სა-
სურველია კირიანი). ამრავლებენ თესლით,
ფესურის ნაწილებით და კალმით. ნაყოფი
შხამიანია.

მ. სახოკია.

კავკასიური კამეჩი, სარძეო-სახორცე
მიმართულების კამეჩის ჯიში. გავრცელე-
ბულია საქართველოში, აზერბაიჯანსა და
სომხეთში. წლ. მონაწველი 1400—1600
კგ, უდიდესი 3500 კგ-მდე. რძის ცხიმიანო-
ბა 8—9%. კ. კ-ის რძისაგან ამზადებენ მა-
ღალსარისხოვან პროდუქტებს: კარაქს (100
კგ რძისაგან ღებულობენ 7,1 კგ კარაქს),
ყველს და მაწონს. ჭარბი ფოსფორის გა-
მო ხორცს წითელი ფერი აქვს. კ. კ. კარ-
გად სუქდება როგორც საიალაღო, ისე ინ-
ტენს. სუქებისას (დღეღამური წონამატი
1128 გ). საკლავის გამოსავლიანობა 40—
50%. ტყავი მძიმეა, 25—50 კგ, რაც ცოცხა-
ლი მასის 6,5—8,5%-ს შეადგენს, სქელია
(0,4—0,9 სმ), იყენებენ ფეხსაცმლის ლან-
ჩად.

*ლ. საკო

კავკასიური როჭო.

კავკასიური რცხილა; ა—ნაყოფებიანი ტოტი; ბ—ყვავილედებებიანი ტოტი.

კავკასიური შურთხი.

კავკასიური ჯვრიანა.

კავკასიური სალამანდრა.

ლა რ-ნშია გავრცელებული. ადგილ. პიროებიანა და შენახვის ხასიათის მიხედვით გვხვდება განსხვავებული ფორმები. ჰ. ნ. მსხვილი, საშუალოზე მაღალი, უხეში ალნაგობის, ღონიერი, გაბედული, ავი და ამტანია. სხეულის სიგრძე (სანტიმეტრობით) ხვადისა 105—110, ძუსი 102—105; სიმაღლე მინდაოში შესაბამისად: არანაკლებ 65 და 60. კუდმოკაუჭებულია, გრძელბეწვიანი ან მოკლებეწვიანი. ფერადაც ნაირგვარია: ნაცრისფერი, თეთრი, მურა, შავი, ჩალისფერი, ჭრელი და სხვ. *გ. ენუქიძე.*

კავკასიური რასა, ევრაზიული ანუ ევროპეოიდული რასის მოძველებული სახელწოდება. ტერმინი შემოიღო (1776) გერმ. ანთროპოლოგმა ი. ბლუმენბახმა. ზოგი დასავლეთევრ. და ამერ. ანთროპოლოგი ამ ტერმინს დღესაც ხმარობს.

კავკასიური როჭო (Lyrurus mlokosiewiczi), ფრინველი როჭოსებრთა ოჯახისა. გავრცელებულია მთავარი კავკასიონის ქედსა და მცირე კავკასიონის ალპურ ველებზე ზ. დ. 1500—3000 *მ*-მდე. ზამთარში ტყეს აფარებს თავს. მამალი ჰ. რ. შავია, კიდურა საჭის ბუმბული ქვემოთ აქვს მოხრილი. დედალი ჭრელია. ბუდეს მიწაზე იკეთებს. დებს 2—10 კვერცხს. იკვებება თესლით, კენკრით, ხილით, ნორჩი ყლორტებითა და ფოთლებით, ჭიებით, ლოკოკინებით. ჰ. რ. ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელია და მას ყველგან იცავენ. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში".

კავკასიური რცხილა (Carpinus caucasica), ხე თხილისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 35 *მ* აღწევს. გლუვქერქიანია. გავრცელებულია მთელ კავკასიაში, ყირიმში, ჩრდ. ირანსა და მცირე აზიის ჩრდ. ნაწილში, საქართველოში იზრდება დაბლობიდან მოკიდებული ზ. დ. 2000 *მ*-მდე ტყის სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე. ერთ-ერთი მთავარი ტყის ჯიშია; ქმნის როგორც წმინდა კორომებს (ძირითადად ზ. დ. 1000 *მ*-მდე), ისე შერეულ ტყეებს ფოთლოვან (წიფელი, მუხა, წაბლი) და წიწვოვან (ნაძვი, სოჭი) ჯიშებთან. ჩრდილის ამტანი, ყინვა- და ქარგამძლეა. მეზოფილურია, თუმცა მეტ-ნაკლებად ეგუება ჰაერის სიმშრალეს. მრავლდება თესლით და ძირკვის ამონაყრით. ძალზე მაგარი და გამძლე თეთრი მერქანი აქვს, რ-საც სადურგლო და სახარატო საქმეში იყენებენ. ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. დეკორატიულია, კარგად იტანს კრეჭას. აშენებენ ცოცხალ ღობედ, ხეივნებად. *მ. სახოკია.*

კავკასიური სალამანდრა (Mertensiella caucasica), წყალხმელეთა ცხოველი კუდიანი ამფიბიების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 19 *სმ* აღწევს, აქედან ნახევარზე მეტი კუდზე მოდის; ზურგზე წითელი კოპლები აქვს. გავრცელებულია ბორჯომის ხეობაში, ზეკარის გადასასვლელთან, საირმეში, აქა-იქ — აჭარაში. მცირე აზიაში. აღწევს ზ. დ. 2800 *მ*-მდე. ცხოვრობს ტყის ზონის მდ-ებსა და ნაკადულებში. იკვებება მწერებით, მათი მატლებით, პატარა-პატარა უხერხემლო ცხოველებით. როგორც იშვიათი სახეობა, შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში".

კავკასიური სოჭი, ნორდმანის სოჭი (Abies nordmanniana), მარადმწვანე წიწვოვანი ხე ფიჭვისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 50 *მ* აღწევს, დიამეტრი 1,5 *მ*. შეკრულ ხეთადგომაში მისი პირამიდული ვარჯი დიდ სიმაღლეზე ტოტებისაგან გაწმენდილია, ეული ხე კი ძირიდანვე დატოტვილია, სიბერეში გადასულ ხეს ქერქი ღრმად და ტალღისებრად აქვს დაღარული. 2—3(4) *სმ* სიგრძისა და 2—2,5 (3) *მმ* სიგანის წიწვები ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან კი 2 თეთრი ზოლი გასდევს; წიწვები 9—12 წელს ცოცხლობს. ზედა ტოტებზე 12—20 *სმ* სიგრძის ბლაგვთავიანი გირჩები კელაპტრებივითა აქვს აღმართული, მომწიფებისას ზედვე იშლება ქერქლებად და ხეზე მხოლოდ დროებით რჩება გირჩის ღერძი. გავრცელებულია კავკ. დას. ნაწილში მთავარი კავკასიონის ჩრდ. და სამხრ. ფერდობებსა და სამხრ. მთიანეთის აჭარა-იმერეთის და თრიალეთის ქედებზე. საქართველოში მისი გავრცელების უკიდურესი აღმ. საზღვარი გადის მდ. ალგეთზე, მანგლისთან. სსრკ ფარგლებს გარეთ ჰ. ს. გვხვდება თურქეთში, პონტოს ქედის ფერდობებზე. იზრდება ზ. დ. 1200—1500 *მ*-იდან 2000—2200 *მ*-მდე. ადგილ-ადგილ ტყის მცენარეულობის გავრცელების სუბალპ. საზღვრამდეც ადის, მთავარი კავკასიონის ჩრდ. ფერდობებსა და ამიერკავკ. დას. ნაწილში იგი დაბლა, ზ. დ. 600 *მ*-მდე ეშვება. ქმნის წმინდა კორომებს, ხშირად კი შერეულია ნაძვთან და წიფელთან. ჰ. ს. ჩრდილის ამტანი და სიცივეგამძლეა. მგრძნობიარეა ზაფხულის მაღალი ტემპ-რისა და ჰაერის სიმშრალისადმი, სუსხზე კი აღმონაცენი უზიანდება. მეზოფილური ჯიშია, თუმცა ჭარბტენიან ნიადაგს გაურბის. კარგად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე. მცირედ დაქანებულ ფერდობებზე საკმაოდ ღრმა ფესვთა სისტემას იკითარებს და ქარგამძლეცაა. შედარებით რბილი და მტვრევადი მერქანი აქვს, მაგრამ მაინც ფართოდ იყენებენ მშენებლობაში. მნიშვნელოვანია ქაღალდის წარმოებაში. ცოცხლობს 600—700 წელს. თესლს იძლევა 30—40 წლისა (კორომში უფრო გვიან). ყვავილობს მაისში, თესლი სცვივა ოქტომბერ-ნოემბერში. დეკორატიულია, აშენებენ ბაღებსა და პარკებში. *ვ. მირზაშვილი.*



კავკასიური სოჭი. მარცხნივ—წიწვებიანი ტოტი. შუაში—ყლორტი მომწიფებული გირჩებით. მარჯვნივ—ქერქლებჩამოცვენილი გირჩა.

კავკასიური ფუტკარი, კავკასიის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ჩამოყალიბებული რუხი და ყვითელი ფუტკრების ჯგუფი, რ-შიც შედის დაბლობის, ჩრდ.-კავკასიური ანუ ყუბანის, სომხეთის ყვითელი, კაბახტაბისა და *ქართული ფუტკარი.* *ა. ხიდაშელი.*

კავკასიური შურთხი (Tetraogallus caucasicus), ფრინველი *ქათმისნაირთა* რიგისა. მისი სხეულის სიგრძეა 50 *სმ*, წონა 2 *კგ*. ფერად რუხია, წვრილი შავი და წითური ზოლები და კოპლები აქვს. გავრცელებულია კავკასიონის მთავარ ქედსა და მის განშტოებებზე ზ. დ. 1800—4000 *მ*-ზე. მობინადრეა. ჰ. შ. ბუდეს მიწაზე იკეთებს — ქვებში ან კლდეებშია. დებს 8—10 მორუხო-მოცისფრო კვერცხს. კრუხობს 3 კვირას. იკვებება მცენარის თესლით, კვირტებით, ყლორტებით, კენკრით, ტუბერებით, აგრეთვე მწერებით. ზამთარში ხშირად იკვებება ჯიხვების საბალახოზე (ჯიხვი ფლოქვებით აფხვიერებს თოვლს და უადვილებს შურთხს საკვების მოპოვებას, შურთხი კი უფრო ფრთხილია და ჯიხვებს საფრთხეს ატყობინებს). ყველგან დაცულია. *რ. ყორდანია.*

კავკასიური წაბლა ჯიში მსხვილი რქოსანი საქონლისა, სარძეო-სახორცე მიმართულების ჯიში; გამოყვანილია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში ადგილ. საქონლის შეჯვარებით შვიცურ და კოსტრომულ საქონელთან. ჯიში დამტკიცებულია 1960. ჰ. ფ. ჯ-ს მაგარი კონსტიტუცია და მკვრივი ძვლეული აქვს. ფერად წაბლაა. ცოცხალი მასა: კუროსი 700—900 *კგ*, ფურისა 400—450 *კგ*; წლ. მონაწველი 2500—3500 *კგ* (უდიდესი 8800 *კგ*), რძის ცხიმიანობა 3,9% (უდიდესი 5%-მდე), ნაკლავის გამოსავალი 50—55%. ჰ. ფ. ჯ. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, კარგად ეგუება მაღალმთიან პირობებს, ჯიშის შემდგომი სრულყოფისა და მოშენებისათვის არსებობს სახელმწ. ჯიშთსაშენი (წითელ წყაროში), დმანისის სამომშენებლო მეურნეობა, ცხინვალის საანაშენე საბჭ. მეურნეობა და 30-მდე სკოლმ. სანაშენე ფერმა ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, წითელწყაროს, სიღნაღისა და სხვ. რ-ნებში. *ნ. გოცირიძე.*

კავკასიური წაბლა ჯიშის ფური.

კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი, სახორცე-სამატყლე მიმართულების ცხვრის ჯიში. გამოყვანილია 1921—3 სტავროპოლის მხარის იპატოვოს რ-ნი სამომშენებლო მეურნეობა „ბოლშევიკში" ახალკავკ. წმინდამატყლიანი ცხვრის შეჯვარებით ამერ. რამბულიეისა და ასკანიურ ერკემალთან. ერკემლის მატყლის ნაპარსია 10—12 *კგ* (უდიდესი 25 *კგ*-მდე), ნერბისა 5,8—6,5 *კგ* (უდიდესი 13 *კგ*). მატყლის სიგრძე 7,5—8,5 *სმ* (64-ე ხარისხისა), წმინდა მატყლის გამოსავალი 38—43%, ცოცხალი მასა ერკემლისა 90—100 *კგ*, ნერბისა 50—60 *კგ*. ნერბის ნაყოფიერება 150%-ს აღწევს. ერკემალს იყენებენ ზოგიერთი წმინდამატყლიანი და უხეშმატყლიანი ჯიშების გასაუმჯობესებლად. ჰ. ფ. ჯ. მოშენებულია რსფსრ ზოგიერთ მხარესა და ოლქში, აგრეთვე ყაზახეთში, საქართველოსა და სომხეთში.



კავკასიური წმინდამატყლიანი ცხვარი.

კავკასიური ჯვრიანა (Pelodytes caucasicus), წყალხმელეთა ცხოველი უკუდო ამფიბიების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 55 *მმ* აღწევს. წენგოსფერი, მუქკოპლებიანი ზურგი და მოთეთრო მუცელი აქვს. გავრცელებულია ბორჯომისა და ლაგოდეხის რ-ნებში, აჭარაში, სამხრ. ოსეთში, კრასნოდარის მხარეში. ზ. დ. 2300 *მ* აღწევს. იკვებება მწერებით, მათი მატლებით და პატარ-პატარა უხერხემლო ცხოველებით. ივნისიდან სექტ-მდე ყრის ქვირითს ტბორებსა და მდორე მდ-ებში. თავკომბალა მხოლოდ მომდევნო წელს ამთავრებს მეტამორფოზს. შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში".

კავსაძე ალექსანდრე (სანდრო) გრიგოლის ძე (1874, სოფ. ხოვლე, კასპის რ-ნი,— 12. VI. 1939, თბილისი), ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი (ტენორი) და ლოტბარი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1930). სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში, იქვე მღეროდა ს. გოგლიჩიძის გუნდში, ბოლო კლასებში ამ გუნდის ლოტბარი იყო. 1894-იდან გორის დაწყებით სკოლაში ასწავლიდა სიმღერას, იქვე დააარსა მომღერალთა გუნდი (ამ გუნდში მღეროდა ვ. სარაჯიშვილი). 1896—1911 მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა თბილისში. 1911 მუშათა გუნდები ჩამოაყალიბა ტყიბულსა და ჭიათურაში, სადაც 24 წლის მანძილზე მოღვაწეობდა. 1935 კ-მ თბილისში დააარსა აღმ. საქართვ. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ansامبლი (100 კაცი). ansامبლი წარმატებით გამოვიდა მოსკოვში 1937 ქართ. ხელოვნ. დეკადაზე. კ-მ აღზარდა მრავალი ლოტბარი. მისი მოწაფეები არიან: მ. კავკაძე, ვ ხატელიშვილი, ს. გველესიანი, და სხვ. კ. ცნობილია აგრეთვე როგორც ქართ. ხალხ. სიმღერების, განსაკუთრებით„ „ურმულისა" და „ოროველას" შესრულების დიდოსტატი.

კავსაძე ანზორ გრიგოლის ძე (დ. 7. VIII. 1930, ჭიათურა), ქართველი საბჭ. ბალეტმეისტერი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1970). სკკპ წევრი 1961-იდან. 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ხელმძღვ. გ. ხახანაშვილი) საგუნდო-სადირიჟორო განყრით. 1961—64 სწავლობდა ასპირანტურაში (საოპერო-სიმფ. დირიჟორობა, ხელმძღვ. ო. დიმიტრიადი). სწავლის პარალელურად ეწეოდა სადირიჟორო მოღვაწეობას. 1951-იდან საქართვ. რადიოს კაპელის დირიჟორი და მომღერალია, 1954—58—თბილ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის გუნდის დირიჟორი. 1956—57 საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის კაპელის დირიჟორი, 1957—66 საქართვ. ხალხური სიმღერისა და ცეკვის ansامبლის. დამს. ansامبლის მთავარი დირიჟორი, 1968—75 კი ამავე ansامبლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კავსაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე (7. I. 1886, ს. ხოვლე, კასპის რ-ნი, — 30. XII. 1953, თბილისი), ქართველი საბჭ. მომღერალი (ლირიკული ტენორი). საქ. სსრ სახ. არტისტი (1943). სიმღერას სწავლობდა თბილისში ე. ბორჯომისთან. ერთხანს მღეროდა. ა. კავსაძის გუნდში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში 1908. 1917-მდე მუშაობდა მოსკ., ორენბურგის, პეტერბ., სმოლენსკისა და სხვ. ქ-ების ოპერეტის თეატრებში. კ. თბილ. მუს. კომედიის თეატრის ერთ-ერთი გუნდმდებელი იყო. 1921-იდან მღეროდა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში. პარტიები: აბესალომი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"), შოთა რუსთაველი (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"), კოტე, საქო (დოლიძის „ქეთო და კოტე"), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი")" ალფრედი (ვერდის „ტრავიატა") და სხვ. კ-ს ლამაზი ტემბრის ხმა და მაღალი სასცენო კულტურა ჰქონდა. წარმატებით ასრულებდა კომ. როლებს. გადაღებულია კინოში.

კავსაძე მიხეილ ლონგინოზის ძე (1880, სოფ. ხოვლე, კასპის რ-ნი, — 10. V. 1961, თბილისი), ქართველი საბჭ. ლოტბარი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1930). სპეც. მუს. განათლება არ მიუღია. 1897 ი. ჭავჭავაძის რჩევით შეადგინა გუნდი. 1905 დააარსა მუშათა გუნდი, რ-იც ასრულებდა რევ. სიმღერებს („მარსელიეზა", „ძმებო, დროშა გაიშალა!", „ჩვენ ვართ მჭედელნი" და სხვ.). 1911-იდან ა. *კავსაძემ* თავისი გუნდის ხელმძღვანელობა მას გადასცა. ამ გუნდმა მრავალი კონცერტი გამართა საქართვ. სხვადასხვა ქალაქში. 1923—26 კ. ხელმძღვანელობდა ამიერკავკ. კომუნისტური უნ-ტის გუნდს. 1936 მუშაობდა გორში მომღერალთა ეთნოგრ. გუნდის ხელმძღვანელად, 1938 — კასპში, 1940 — თბილისში. ამავე წელს კინოსტუდიასთან ჩამოაყალიბა გუნდი იმ მომღერალთაგან, რ-თაც 30 წ. წინ თვითონ ხელმძღვანელობდა. კ-მ ქართ. სიმღერას აზიარა თბილ. ფაპრიკა-ქარხნების მუშები, რკინიგზელები, ხელოსნები. ახალგაზრდობიდანვე ქართ. ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს ქართ.-ხალხ. მუსიკისა და მისი მესვეურების შესახებ.

კავური (Kavour) კამილო ბენსო (10. VIII. 1810, ტურინი, — 6. VI. 1861, იქვე), გრაფი, პიემონტის (სარდინიის სამეფო) პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, რისორჯიმენტოს აქტ. მონაწილე, გაბურჟუებული თავადაზნაურობისა და ზომიერი ლიბერ.-მონარქისტული ბურჟუაზიის ლიდერი და იდეოლოგი. 1848—49 რევ. დროს იყო პარლამენტის დეპუტატი, 1852—61 (გარდა 1859) პიემონტის პრემიერ-მინისტრი, ხელმძღვანელობდა აგრეთვე საგარეო საქმეთა, ფინანსთა და სხვ. სამინისტროებს. საშინაო პოლიტიკაში მიზნად ისახავდა პიემონტის ეკონ. და პოლიტ. სტრუქტურის ბურჟ.-ლიბერ. საწყისებზე გარდაქმნას, იტალიის „ზემოდან" გაერთიანებას ნაპოლეონ III-ის საფრანგეთის დახმარებით. მაგრამ საფრანგეთსა და ავსტრიას შორის დადებულმა სეპარატულმა შეთანხმებამ (ვილაფრანკის დაზავება, 1859) ჩაშალა კ-ის გეგმები და იგი გადადგა. 1859—60 იტალ. რევ. დროს კ. კვლავ ხელისუფლების სათავეში მოექცა (1860 იანვ.). მან პიემონტს შეუერთა პარმა, მოდენა, ტოსკანა და რომანია, სურდა ესარგებლა სამხრეთში *გარიბალდის* ლაშქრობის წარმატებით და პიემონტისათვის სახ. რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული ტერიტორიებიც მიეერთებინა. იტალ. რევ. ძალების სისუსტის შედეგად კ-მა მიზანს მიაღწია: „ქვემოდან" რევოლუცია ოსტატურად გამოიყენა იტალიის „ზემოდან" გასაერთიანებლად. 1861 მარტში გამოცხადდა იტალ. ერთიანი მონარქია, რ-ის პირველი პრემიერ-მინისტრი კ. გახდა.

ლიტ.: Сказкин С. Д., Кавур и воссоединение Италии, «Историк-марксист», 1935, № 5—6. *ბ. კიღურაძე.*

კავშირგაბმულობა, სახალხო მეურნეობის დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღება-გადაცემას ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და სხვ. მეშვეობით. განასხვავებენ საფოსტო და ელექტროკავშირგაბმულობას. საფოსტო კ-ს საფუძველი ჩაუყარა წერილობითმა ინფორმაციამ. XVIII ს. ბოლოს შეიქმნა ოპტ. სიგნალიზაციის სისტემა, კერძოდ, სემაფორული ტელეგრაფი. ელექტროტექ. განვითარების შედეგად გამოიგონეს ინფორმაციის გადაცემის ელექტრული ხერხი. ელექტრული ტელეგრაფი (იხ. *ტელეგრაფია*) გამოიგონა რუსმა მეცნ. პ. შილინგმა. 1837 ამერ. ს. მორზემ შექმნა ელექტრომაგნ. ტელეგრაფის აპარატი, სატელეგრაფო პირობითი ანბანის კოდი. შემდგომ სწრაფად გავრცელდა ტელეგრაფის ასოთსაბეჭდი აპარატები. 1876 ა. ბელმა (აშშ) გამოიგონა ტელეფონი. კ-ის განვითარების შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო რუსი მეცნ. ა. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონება (1895). ტექ. უდიდესი მიღწევაა მაღალი სიხშირის მრავალარხიანი კ-ის სისტემებისა და ახ. სახეობის ხაზების შექმნა (იხ. *მრავალარხიანი კავშირგაბმულობა*). კ-ის პერსპექტიული ტექ. საშუალებანია კოსმ. სისტემები (იხ. *კოსმოსური კავშირი*). თანამედროვე ეტაპზე კ-ის სახეობათა შორის ყველაზე გავრცელებულია რადიომაუწყებლობა და ტელევიზია.

სსრკ-ში კ-ის ყველაზე მასობრივი სახეობაა საფოსტო კავშირი. ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში აშენებულია და შენდება თანამედროვე ფოსტამტები. საფოსტო ოპერაციებში დიდი ხვ. წ. აქვს პერიოდული პრესის გავრცელებას. ყველა სახეობის ელექტროკავშირის სფეროში, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, ფართოდ ინერგება ინფორმაციის გადაცემის ავტომატიზაცია. სატელეფონო კავშირის ავტომატიზაცია ხდება ავტომ. სატელეფონო კავშირის სხვადასხვა სისტემის დახმარებით. საქალაქთაშორისო დალაპარაკებათა რიცხვმა 92 მლნ-იდან (1940) 768 მლნ-ს (1975) მიაღწია. ქვეყნის შიგნით შექმნილია სააბონენტო ტელეგრაფის ქსელი, ინერგება პირდაპირი შეერთების ავტომატიზებული სისტემები, რ-თა მეშვეობით თითქმის ორჯერ დაჩქარდა დეპეშების გაგზავნა. ინერგება აგრეთვე ფოტოტელეგრაფია (სასწრაფო გადაცემის მიზნით). რადიოკავშირის ტექ. საშუალებებით ხორციელდება რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. 1975 ქვეყნის შიგნით იყო 62,7 მლნ რადიოსატრანსლაციო წერტილი, მუშაობდა სხვადასხვა სიმძლავრის 1957 პროგრამული და სარეტრანსლაციო სატელევიზიო სადგური, ტელევიზორების რაოდენობამ 400-იდან (1940) 55,2 მლნ. მიაღწია.

სსრკ-ში 1940 იყო 51 ათ. საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო საწარმო, 1975—88 ათ., საქართველოში შესაბამისად — 663 და 1624. ამავე პერიოდში რადიომიმღებების, ტელევიზორებისა და სატრანსლაციო რადიოწერტილების რიცხვი სსრკ-ში 7 მლნ-იდან 177,7 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო საქართველოში — 67 ათიდან 2257 ათ-მდე.

პირველი მძლავრი რადიოგადამცემი სადგური საქართველოში 1921 ამუშავდა. 1957 თბილისში ამოქმედდა პირველი ტელეგადამცემი სადგური. 1940 აქვე აშენდა პირველი სატელეგრაფო სადგური, რის შედეგად შეიქმნა სატელეგრაფო სააბონენტო კავშირი. 1978 სატელეგრაფო კავშირი გადაიყვანეს პირდაპირი შეერთების სისტემაზე. თბილისში პირველი ტელეფონები 1882, ხოლო პირველი სატელეფონო ქსელი 1893 ამუშავდა; 1896 დაინერგა საერთო მომსახურების ტელეფონ-ავტომატები, ხოლო 1934 ამუშავდა პირველი ავტომ. სატელეფონო სადგური.

კავშირგაბმულობა სამხედრო, ჯარებსა და შტაბებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობა, აგრეთვე ბრძანებების, განკარგულებებისა და ცნობების გადაცემა და მიღება. კ. ს. ჯარების მართვის ძირითადი საშუალებაა. მას ევალება ინფორმაციის სწრაფად, შეუფერხებლად და სანიმედოდ გადაცემა. ხელქვეითებთან კავშირი ხორციელდება უფროსი მეთაურის (შტაბის) განკარგულებით, ურთიერთმოქმედების კავშირი — ურთიერთმოქმედი ჯარების საშუალებებით (მეთაურის მითითებით). სამხ. კავშირისათვის უმთავრესად იყენებენ რადიოსაშუალებებს, აგრეთვე რადიოსარელეო, სადენიან, მოძრავ და სასიგნალო სა-

ალ. კავსაძე.

ან. კავსაძე.

ვ. კავსაძე.

მ. კავსაძე.



კავშირგაბმულობის კაბელი



საქალაქო ტელეფონის ქსლის კაბელი.

ქალაქთაშორისი კავშირგაბმულობის ხაზის კომბინირებული მაგისტრალური კაბელი (მოჯავშნული).



1 — ლენგამტარი ძარღვი; 2—იზოლაცია; 3—ბარსი; 4—ჯავშანი; ეკრანი.



კავშირგაბმულობის წყალქვეშა კაბელი.



ა) ღრმა წყლის კოაქსიალური კაბელი: 1—ფოლადის მავთულებისაგან დგარეხილი ცენტრალური ბზიდი გვარლი; 2—სპილენძის ლენტის შიგა მოლესბრი გამტარი (შელუღებულნაკერიანი); 3—მთლიანი პოლიეთილენის იზოლაცია; 4—სპილენძის ან ალუმინის გარე გამტარი; 5—პოლიეთილენის გარსი. ბ) მცირე წყლის კოაქსიალური კაბელი: 1 — სპილენძის შიგა გამტარი; 2—პოლიეთილენის მთლიანი იზოლაცია; 3—სპილენძის ლენტის გარე გამტარი; 4 — ლპობის საწინააღმდეგო ნივთიერებით გაჟღენთილი ჯუთის საკაბელო ნართი; 5—ფოლადის მრგვალი მავთულის ჯავშანი; 6—ჯუთის შრე, გაჟღენთილი ლპობის საწინააღმდეგო ნივთიერებებით.

შუალებებს, თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს ჰ. ს-ს შეუფერხებელი მუშაობისათვის ერთი და იმავე მიმართულებით იყენებენ კავშირგაბმულობის სხვადასხვა საშუალებას. ჰ. ს-ს ახორციელებს *კავშირგაბმულობის ჯარი.*

კავშირგაბმულობის ეკონომიკა, დარგობრივი ეკონომიკური მეცნიერება, რ-იც შეისწავლის კავშირგაბმულობაში სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების გამოვლინების კონკრეტულ ფორმებსა და თავისებურებებს. ჰ. ე-ის მიზანია გამოიყენოს ეს კანონები კავშირგაბმ. ეფექტიანობის ასამაღლებლად.

მეცნ.-ტექ. პროგრესი კავშირგაბმულობაში იწვევს ტექ., ტექნოლ., შრომისა და წარმოების ორგანიზაციის, კადრების კვალიფიციური შემადგენლობის, საწარმოო ფონდების სტრუქტურის ცვლილებებსა და სრულყოფას, რის შედეგად ეკონ. და ტექ. პირაპირზე წარმოიშობა ახ. ტექ.-ეკონ. პრობლემები, რ-ებიც მოითხოვენ კავშირგაბმ. მთელ რიგ ახ. კანონზომიერებათა მეცნ. შესწავლას.

ჰ. ე. შეიმუშავებს მოცემული დარგის ტექ. საშუალებათა და კავშირგაბმ. ქსლის განვითარების, საექსპლუატაციო საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების, კავშირგაბმ. ტარიფების აგების, სამეურნ. ანგარიშის, დაგეგმვისა და სხვ. ეკონ. პოლიტიკის მეცნ. საფუძვლებს. ჰ. ე. იკვლევს კავშირგაბმ. დარგების თავისებურებათა კონკრ. ფორმებს, რ-თა გავლენით შეიძლება ეკონ. კანონების უფრო ეფექტიანად გამოყენება. ჰ. ე-ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა კავშირგაბმ. ეფექტიანობის ამაღლების ოპტიმალური გზებისა და მეთოდების განსაზღვრა. ამის შესაბამისად ჰ. ე. შეიმუშავებს კავშირგაბმ. საწარმოებისა და დარგების მართვის დაგეგმვისა და ეკონ. სტიმულირების მეცნ. საფუძვლებს. კავშირგაბმულობა მატერ. წარმოების სფეროს მიეკუთვნება. როგორც წარმოების დარგი, ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის დროს. კ. მარქსმა ამ დარგს ინფორმაციის გადაცემის მრეწველობა უწოდა. „არსებობს მრეწველობის დამოუკიდებელი დარგები, სადაც წარმოების პროცესის პროდუქტი არ წარმოადგენს ახალ ნივთიერ პროდუქტს, საქონელს. ამ დარგებიდან ეკონომიურად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო მრეწველობა, იქნება იგი საკუთრივ სატრანსპორტო მრეწველობა საქონელთა გადასაზიდად და ადამიანთა გადასაყვანად, თუ მარტოოდენ ცნობების, წერილების, ტელეგრამებისა და სხვ. გადაცემა" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 2, თბ., 1957, გვ. 64).

კავშირგაბმულობის თანამგზავრი, კავშირგაბმულობის კოსმოსური სადგური, რ-იც უზრუნველყოფს სატელევიზიო, სატელეფონო კავშირისათვის, აგრეთვე რადიოკავშირისათვის საჭირო სპეც. სიგნალების რეტრანსლაციას ერთმანეთისაგან დიდი მანძილებით დაშორებულ დედამიწის სადგურებს შორის. რეტრანსლაციის ტიპის მიხედვით განარჩევენ პასიურ და აქტ. ჰ. თ-ს, ორბიტის მიხედვით — არასტაციონარულს („ტელესტარი", „რელე", „ექო" და სხვ. აშშ-ში), ელიფსურ სინქრონულ ორბიტიანს (საბჭ. სერია „მოლნია-1") და სტაციონარულს („რადუგა", საერთაშ. სარეგისტრაციო ინდექსი „სტაციონარ-1" სსრკ-ში, „ერლი ბერდი" აშშ-ში). თანამედროვე ჰ. თ-თან შეიძლება ერთდროულად დამყარდეს მრავალარხიანი ტელე- და რადიოკავშირი, აგრეთვე სატელეფონო კავშირი.

კავშირგაბმულობის კაბელი, სპეციალური ელექტრული სადენი (იხ. *კაბელი*), რ-საც იყენებენ ტელეგრამის, ფოტოგამოსახულების, ბგერითი და სატელევიზიო მაუწყებლობის პროგრამების, ტელემექანიკურ სისტემათა სიგნალებისა და სხვ. გადასაცემად. კონსტრუქციის მიხედვით ჰ. ჰ. არის სიმეტრიული და კოაქსიალური, დანიშნულების მიხედვით — შორეული (საქალაქთაშორისო, წყალქვეშა) და ადგილ. (საქალაქო, სადგურისა, საშახტო) კავშირგაბმულობისა. განასხვავებენ აგრეთვე დაბალი სიხშირისა (100 *ჰც*—10*კჰც*) და მაღალი სიხშირის (10 *კჰც*—60 *მეგაჰც*) კაბელებს. *ე. ბრეგვაძე.*

კავშირგაბმულობის სტატისტიკა, ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ქსლების განვითარებისა და საექსპლუატაციო საქმიანობის პროცესებს. სსრკ-ში ჰ. ს. მოიცავს: კავშირგაბმ. ყველა სახის ქსლის (სასადგურო საწარმოები, სახაზო ნაგებობა და პუნქტები) განვითარებისა და განლაგების სტატისტიკას, კავშირგაბმ. პროდუქციის (მომსახურების) სტატისტიკას; სახ. მეურნ. და მოსახლ. მომსახურების ხარისხისა და კავშირგაბმ. პროდუქციის ხარისხის (ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე, უტყუარობა და საიმედოობა) სტატისტიკას; შრომითი რესურსების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის სტატისტიკას; ძირითადი საწარმოო ფონდების სტატისტიკას; კაპიტ. მშენებლობის სტატისტიკას; ახ. ტექ. განვითარებისა და დანერგვის სტატისტიკას; მატერ.-ტექ. მომარაგების სტატისტიკას; კავშირგაბმ. პროდუქციის თვითღირებულების სტატისტიკას; კავშირგაბმ. ფინანსების სტატისტიკას. სსრკ კავშირგაბმ. მაჩვენებლებისა და მეთოდების სისტემას ფართოდ იყენებენ რიგ სოციალ. ქვეყანაში. კაპიტალ. ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი ჰ. ს.; სტატისტ. სამუშაოები და ჰ. ს-ის მონაცემები დაქსაქსულია ცალკეულ მონოპოლიებს შორის და არა აქვთ ურთიერთკავშირი. სახელმწიფო ჰ. ს-ც, რ-იც კავშირგაბმ. ცალკეულ დარგებს (ფოსტა, ტელეგრაფი) მოიცავს, შეზღუდულია.

კავშირგაბმულობის ტარიფები, კავშირგაბმულობაში სახელმწიფო ფასების სისტემა, რ-ის მიხედვით ხდება კავშირგაბმულობის მომსახურება და რეალიზაცია. ჰ. ტ., ისე როგორც სახ. მეურნ. სხვა დარგების პროდუქციის ფასები, დგინდება სოციალ. ობიექტური ეკონ. კანონების მოთხოვნათა შესაბამისად. სახელმწიფო მათ იყენებს როგორც სოციალ. ეკონ. განვითარების უმნიშვნელოვანეს იარაღს. ჰ. ტ-ის დადგენის ეკონ. დასაბუთებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კავშირგაბმ. პროდუქციის მოცულობა, მოგება და რენტაბელობა. ჰ. ტ. ასრულებს ორი სახეობის ფასის ფუნქციას: ს ა ბ ი თ უ მ ო ფასის (კავშირგაბმ. მომსახურებით სარგებლობს სახ. მეურნ. სექტორი) და ს ა ც ა ლ ო ფასის (კავშირგაბმ. მომსახურებით სარგებლობს მოსახლეობა).

ჰ. ტ-ის აგების ძირითადი პრინციპია მისი დადგენა ღირებულების, ე. ი. კავშირგაბმ. პროდუქციის წარმოებაზე გაწეული საზ. აუცილებელი დანახარჯის სიდიდის საფუძველზე.

სსრკ-ში მოქმედებს ჰ. ტ-ის ერთიანი სისტემა. კავშირგაბმ. საწარმოები მომხმარებლებს უწევენ მრავალი სახეობის ფასიან მომსახურებას. განასხვავებენ საერთო (ჩვეულებრივ), შეღავათიან და დამატებითი მომსახურების ტარიფებს. ს ა ე რ თ ო ტ ა რ ი ფ ე ბ ი ძირითადია და მოიცავს კავშირგაბმ. ყველა დარგის მომსახურებას; შ ე ღ ა ვ ა თ ი ა ნ ი ტ ა რ ი ფ ე ბ ი დაწესებულია კავშირგაბმ. მომსახურებათა ცალკეულ სახეებზე საერთო ტარიფებთან შედარებით შემცირებული ოდენობით. მომსახურების დ ა მ ა ტ ებ ი თ ი ტარიფები დაწესებულია ამანათების შეფუთვის, მისამართის დაწერის, სახლში მიტანისა და სხვ. მომსახურებისათვის.

კავშირგაბმ. მომსახურების ტარიფების სიდიდის ძირითადი საზომია წარმოების თვითღირებულება, რ-იც დამოკიდებულია წონის, მანძილისა და სხვა ფაქტორებზე. ჰ. ტ-ს შეიმუშავებს სსრკ კავშირგაბმ. სამინისტრო და ამტკიცებს სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფასების სახელმწ. კომიტეტი.

კავშირგაბმულობის წყალქვეშა კაბელი, შორეული კავშირგაბმულობის კაბელი. განასხვავებენ მდინარის და ზღვის (ოკეანის) წყალქვეშა კაბელებს. ზღვის (ოკეანის) კაბელი ორგვარია: უჯავშნო, ე. წ. ღრმა წყლის კაბელი (ნახ. 1) და ჯავშნიანი — მცირე წყლის კაბელი (ნახ. 2). კაბელების ჩასაწყობად იყენებენ სპეც. გემებს (იხ. *კაბელჩამწყობი*).

პირველი ცალძარღვა კაბელი ჩაგეს 1850 პა-დე-კალეს სრუტეში (ხაზი დოვრი—კალე). 1858 ტრანსატლანტიკურმა ატელეგრაფო ჰ. წ. ჰ-მა ერთმანეთს დაუკავშირა ირლანდია და ნიუფაუნდლენდი (ტრასა 3750 *კმ*). 1866 ჰ. წ. ჰ-ით რეგულარული სატელეგრაფო კავშირი დამყარდა ევროპასა და ამერიკას შორის. ჩაშენებული (შუალედური) მაძლიერებლის გამოყენებამ განაპირობა შეუზღუდავი სიგრძის კაბელის ჩაგება. 70-იანი წლების შემდეგ ჩაგებულია 30 ოკეანური სატელეფონო კაბელი (საერთო სიგრძე 140 ათ. *კმ*). 1974-იდან მუშაობს ტრანსატლანტიკური 1840-არხიანი კავშირგაბმ. ხაზი, რ-მაც დააკავშირა ინგლისი და კანადა. გაყვანილია ამერ., იტალ. და ესპ. დამაკავშირებელი ტრანსატლანტიკური, აგრეთვე ატლანტისა და წყნარი ოკეანეების 50000 *კმ*-იანი საერთაშ. საკაბელო მაგისტრალი.

თანამედროვე ჰ. წ. ჰ. *კოაქსიალური კაბელია*, რ-საც უმთავრესად პოლიეთილენის მთლიანი იზოლაცია აქვს.

ო. ღამბაშიძე.

კავშირგაბმულობის ხაზი, კავშირგაბმულობის არხის (იხ. *არხი* კავშირგაბმულობისა) შემადგენელი ნაწილი; მოწყობილობებისა და ფიზ. გარემოს ერთობლიობა, რ-ითაც ინფორმაცია (გარდაქმნილი ელექტრული სიგნალი) გამგზავნი ობიექტიდან მიმღებ ობიექტს გადაეცემა. განასხვავებენ ელექტრულ, ბგერით (აკუსტიკურ) და ოპტ. ხ-ებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია ელექტრულსადენიანი (საჰაერო და საკაბელო) და რადიოკავშირის ხაზები (რადიორელეური, კოსმოსური და სხვ.). საჰაერო ჰ. ხ. სპილენძის, ბრინჯაოს ან ფოლადის არაიზოლირებული გამტარია, რ-საც იზოლატორების, სპეც. არმატურისა და პროფილების მეშვეობით ხის ან რკინაბეტონის საყრდენებზე ჰკიდებენ. საკაბელო ხაზები გაყვანილია მიწაში ან მდინარის, ზღვის, ოკეანის ფსკერზე (იხ. *კავშირგაბმულობის კაბელი* და *კავშირგაბმულობის წყალქვეშა კაბელი*).

ე. ბრეგვაძე.

კავშირგაბმულობის ჯარი, სპეციალური ჯარი, რ-იც უზრუნველყოფს ჯარების ურთიერთკავშირსა და მართვას. უმეტეს ქვეყნებში ჰ. ჯ. შედის ყველა გვარეობის ჯარების შემადგენლობაში. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში ჰ. ჯ. შედგება ნაწილებისა და კავშირგაბმულობის კვანძებისაგან, აგრეთვე მომარაგების, რემონტისა და კავშირგაბმ. სხვა დაწესებულებებისაგან. რუს. არმიაში კავშირგაბმ. ქვეგანაყოფები გაჩნდა XIX ს. შუა წლებში. პირველი სამხ.-საველე ტელეგრაფი ყირიმის ომში (1853—56) გამოიყენეს. 1919 ოქტ. ვ. ი. ლენინის მითითებით დაინიშნა წითელი არმიის კავშირგაბმ. უფროსი და შეიქმნა კავშირგაბმ. სამმართველო. 1929—31 ზოგიერთი გვარეობის ჯარში შეიქმნა კავშირგაბმ. ახ. ნაწილები და ქვეგანაყოფები. დიდ სამამულო ომში (1941—45) გამოიყენეს კავშირგაბმ. ახ. საშუალებები, მ. შ. კავშირგაბმ. მოძრავი კვანძები, ულტრამოკლეტალღიანი რადიოსადგურები, ასოთსაბეჭდი აპარატები. ომის შემდგომ პერიოდში ძირეული ცვლილებები მოხდა ჰ. ჯ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაში და იგი კავშირგაბმ. უახლესი ტექნიკით აღიჭურვა.

კავშირი, სპეციალური მიმართება, რ-ის დროსაც ზოგიერთი ობიექტის არსებობა (არარსებობა) ან შეცვლა არის სხვა ობი-

ტების არსებობის (არარსებობის), ან ეცელის პირობა. განასხვავებენ ცნებებს· ჰ.“ და „ჰ-ის საფუძველი“. ჰ-ის საფუძველი არის ზოგადი თვისება, ნიშანი, მიმარება, რ-იც შესაძლებელს ხდის ჰ-ს. მაგ., ოსმ. ობიექტების ძალთა კავშირის საფუძველია მათი გრავიტაციული თვისებები, ომ. ელემენტების კავშირისა — ატომის ირთვის მუხტი და ა. შ. ჰ-ის საფუძველის რსებობა აუცილებელია, მაგრამ არასაკარისია თვით ჰ-ის არსებობისათვის. საჭიროა აგრეთვე ჰ-ის რეალიზაციის პირობები, რ-ებიც ყოველი საგნობრივი სფეროათვის სპეციფიკურია.

ავშირი, დამხმარე (დამოკიდებული ინიშვნელობის უქოსელი) სიტყვა, რ-იც რომანეთთან აკავშირებს სიტყვებს, წინადადებს წევრებს ან მარტივ წინადადებებს (რთული წინადადების შიგნით).

თავისი დანიშნულებით შეიძლება ყოს მაერთებელი ან მაქცემდებარებელი. ა ე რ თ ე ბ ე ლ ი ჰ. გამოიყენება ტოლფასლებიან ერთეულთა დასაკავშირებლად; ი რამდენიმე სახისაა: მ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ი (დედა და მამა, ნუ იქმ ავსა და ავიც ნუ გეშინიანო), მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ე ლ ი (ალვის ხე მაღალია, მაგრამ პარა ცული ჭრისო), მ ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ე ი (ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს ვლის, ან ზნესაო...), მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა ე ბ ე ლ ი ჰ. იხმარება რთულ წინადებაში შემავალ მარტივ წინადადებათა საკავშირებლად, როდესაც ერთი მათნი მეორეს განმარტავს; მაქვემდებარებელი ჰ. შეიძლება გამოხატავდეს ა დ ი ლ ს (სადაც ჩიტი გაიზრდება, იმის ლდადი ის არისო), დ რ ო ს (როცა თონე აგრილდება, პურს ველარ აცხობსო), ი ზ ა ნ ს (მე ჩანგური მისთვის მინდა, იმ სიმართლეს მსახურებდეს), მ ი ზ ე ზ ს ე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც მი გვარი წილზეა). დ ა თ მ ო ბ ა ს ალაქი ისევ ჩქარა აშენდა, თუმცა ადინდელს მრავალი აკლდა), პ ი რ ო ბ ა ს თუ მოსარჩენი ვარ, ჩვენი აქიმიც მომაბენს). ჰ. ჩვეულებრივ ფორმაუცვლელი ტყვაა. იგი აგებულების მიხედვით შეიუბა იყოს მარტივი (და, ან...) ან რთული (ორი და მეტი სიტყვისაგან შედგელი: იმისათვის, რომ..., არა..., არად, ესე იგი...).

ავშირი, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში (შრმის სოფსაბჭო), ალაზნის ვაკეზე, მდ. ნინახეგის აღმ-ით. ზ. დ. 400 *მ*, ლაგოდეხიდან *კმ*. შრომის კოლ-ბა „ლენინის ანდერძი“ ემეცენარეობა). საშ. სკოლა სოფ. შრომაში (2 *კმ*). ბ-კა. ჰ-შია სუბტროპ. კულურების ჯიშთა გამოცდის სადგური.

ავშირის საბჭო, იხ. სტ. *უმაღლესი ბჭო* სსრ კავშირისა.

ზაკევიჩი ემანუილ გენრიხის ძე [11 4). II. 1913, კრემენჩუგი, — 22. IX. 62, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. კპ წევრი 1944-იდან. პირველი ლექსები რაულ ენაზე გამოაქვეყნა. რუს. ენაზე წერილი მისი პირველი ნაწარმოებია ითხრ. „ვარსკვლავი“ (1947, სსრკ სალმწ. პრემია, 1948; ქართ. თარგმანი 51). ჰ-ის შემოქმედების ძირითადი თემა სამამულო ომი. საბჭ. ადამიანის მორალურ უპირატესობას, მის რაინდულ შეერთებას დამპყრობლად ასახავს მოთხრობებში „ორნი ველზე“ (1948), „დღის ნათლეზე“ (1961) და სხვ., აგრეთვე რომნებში „გაზაფხული ოდერზე“ (1949; რკ სახელმწ. პრემია, 1950), „სახლი ედანზე“ (1956). მოთხრობაში „ლურჯი ეული“ (1961; ქართ. თარგმანი, 1962) ხატა ლენინის სახე. ჰ. დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—2, М., 1963.

ლიტ.: Бочаров А., Эммануил Казевич, М., 1967.

ზაკი (თურქ.—თავისუფალი, თავზეხელაღებული კაცი), ადამიანი, რ-მაც კავრი გაწყვიტა თავის სოციალურ გარემოსთან (XIV—XVII სს.). XV ს. ბოლოდან ჰ-ები ეწოდებოდა რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეების თავისუფალ მოსახლეობას (იხ. *კაზაკობა*).

ჰაზაკი (Kasack) ჰერმან (24. VII. 1896, პოტსდამი, — 10. I. 1966, შტუტგარტი), გერმანელი (გფრ) მწერალი. გერმანიის ენისა და პოეზიის აკადემიის პრეზიდენტი დარმშტადტში (1953-იდან). მეცნ. დოქტორის აკად. ნ. წ. მაინცში. ფონტანეს ლიტ. პრემიის ლაურეატი (1949). ყურადღება მიიქცია II მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი პროზაული ნაწარმოებებით, რ-ებსაც სიმბოლიკა, პარაბოლურობა და ფილოს. სილრმე ახასიათებს. განიცადა ფ. *კაფკას* გავლენა. აღიარება მოიპოვა მისმა სიურრეალისტურმა რომანმა „ქალაქი მდინარის გაღმა“ (1947), რ-იც ერთდროულად სატირაცაა თანადროულ დას. ევრ. სინამდვილეზე, მომავლის ბილვაც და თავისებური უტოპიაც. რომანში ასახული ვიზიონერული „შუალედური ქვეყანა“, რ-იც სიცოცხლის და სიკვდილის მიჯნაზე მდებარეობს, სიმბოლოა სულისაგან დაცლილი, „დაპროგრამებული“, ორგანიზებული სახელმწიფოსი. ჰ. აკრიტიკებს თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციას, ბიუროკრატიზმს, დიქტატურას, ტექ. ოპტიმიზმს (მოთხრ. „საქსოვი დაზგა“, 1949; რომანი „დიდი ბადე“, 1952).

ნ. კაკაბაძე.

ჰაზაკობა, XVIII ს.—XX ს. დამდეგის რევოლუციამდელი რუსეთის სამხედრო ფენა. XIV—XVII სს. რუსეთის განაპირა ტერიტორიებზე მცხოვრები თავისუფალი მოსახლეობა. ფეოდ. ექსპლუატაციისა და ბატონყმობის გაძლიერებამ რუს. და პოლ.-ლიტვ. სახელმწიფოებში XV—XVI სს-ში გამოიწვია გლეხთა მასობრივი გაქცევა ამ სახელმწიფოების საზღვრებს გარეთ, უპირატესად სამხრეთის აუთვისებელ მიწებზე — დონის, ვოლგის, იაიკის აუზებში. მეზობელი ფეოდ. სახელმწიფოებისა და მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ განაპირობა ამ თავისუფალი ხალხის გაერთიანება სამხ. ორგანიზაციებში — აღმოცენდა დონის, ვოლგის, დნეპრის (ჩერკასის), გრებენის და იაიკის კაზაკთა გასამხედროებული თემები. XVI ს. I ნახევარში შეიქმნა ზაპოროჟიეს სეჩი, II ნახევარში — ციმბირისა და თერგის თემები. უკრ. ჰ-მ დიდი როლი შეასრულა უკრ. ხალხის ეროვნ.-განმათ. ბრძოლაში.

ჰ-ის სამეურნეო ცხოვრების ძირითადი დარგები იყო ნადირობა, თევზჭერა, ველური მეფუტკრეობა, მოგვიანებით — მესაქონლეობა, ხოლო XVII ს. II ნახევარში თანდათან დამკვიდრდა მიწათმოქმედებაც. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო სამხ. ნადავლი და რუს. მთავრობის ჯამაგირი. კაზაკები აქტიურად მონაწილეობდნენ თავისუფალი ტერიტორიების ათვისებაში. XVI—XVII სს-ში *ერმაკის*, ს. დეჟნიოვის, ე. ხაბაროვისა და სხვ. მეთაურობით ჰ-მ დიდი წვლილი შეიტანა რუს. წინსვლაში ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ჰ. სოციალურად თავიდანვე არ იყო ერთგვაროვანი. შემდგომი დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა ღარიბ კაზაკთა დიდი ფენა, რ-იც აქტიურად მონაწილეობდა რუს. ყმა გლეხობის სოც. ბრძოლებში. მათი რიგებიდან გამოვიდნენ ანტიფეოდ. ბრძოლის გამოჩენილი ხელმძღვანელები — ს. რაზინი, კ. ბულავინი და ე. პუგაჩოვი. ამავე დროს კაზაკთა ზედაფენა (ე. წ. სტარშინები) მხარში ედგა რუს. თვითმპყრობელობას; XIX ს. დამდეგს იგი მიაკუთვნეს რუს. თავადაზნაურობის წოდებას.

ჰ-მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოსმ. აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში XVI—XVII სს-ში. ამ მიზნით დნეპრისა და დონის ჰ. არაერთგზის დაკავშირებია ქართველ მეფე-მთავრებსაც, განსაკუთრებით XVII ს-ში. ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ რუს. მთავრობა სისტემატურად უგზავნიდა მათ ჯამაგირს და იარაღს.

XVIII ს. დასაწყისში კაზაკთა თემები გარდაიქმნენ ირეგულარულ კაზაკთა ჯარებად. 1721 ისინი სამხ. უწყებას დამორჩილდნენ. ჰ-ში თანდათან გაუქმდა ჯარის უფროსების არჩევითობა, მათ რუს. მთავრობა ნიშნავდა. XVIII—XIX სს-ში შეიქმნა კაზაკთა ჯარის ახ. სახეობა, რ-იც მთლიანად დაექვემდებარა სამხ. უწყებას. XX ს. დამდეგისათვის კაზაკთა 11 ჯარი იყო (დონის, ყუბანის, თერგის, ასტრახანის, ურალის, ორენბურგის, შვიდმდინარეთის, ციმბირის, ბაიკალისპირეთის, ამურის, უსურის); 1917 შეიქმნა ენისეის კაზაკთა ჯარი და იაკუტიის კაზაკთა პოლკი. 1916 კაზაკი მოსახლ. რუსეთში 4434 ათ. კაცს შეადგენდა, აქედან სამხ. სამსახურში იყო 285,4 ათ.; კაზაკთა მთელი ჯარის ატამანად 1827 რუს. ტახტის მემკვიდრე ითვლებოდა. სამხ. სამსახურში კაზაკი უნდა გამოცხადებულიყო თავისი ცხენიარაღით. მაღალი სამხ. მომზადებისა და ტრადიციების მქონე ჰ. XVIII—XIX სს-ში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რუს. ომებში. ხოლო XIX ს. ბოლოდან რუს. ცარიზმი ფართოდ იყენებდა ჰ-ს რევ. ძალებისა და ეროვნ.-განმათ. მოძრაობის წინააღმდეგ. მიუხედავად ცარიზმის ხელშემშლელი ეკონ. პოლიტიკისა, ჰ-ში მაინც შეაღწია კაპიტალ. ურთიერთობებმა და იმოქმედა როგორც მათი მეურნ. ხასიათზე, ისე კლასობრივ მდგომარეობაზე და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე.

1917 თებ. რევ. დროს ჰ-ის დიდი ნაწილი აჯანყებული ხალხის მხარეზე გადავიდა. ოქტ. რევ. პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ფრონტელი და უღარიბესი ჰ-ის მიმხრობა. სამოქალაქო ომის წლებში გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლას მოჰყვა კაზაკთა მერყეობა და მათი დიდი ნაწილი კონტრრევოლუციას მიემხრო. 1919 ბოლოს და 1920 დამდეგს კომუნისტური პარტიის ენერგიულმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღო და დაიწყო ჰ-ის შემობრუნება საბჭ. ხელისუფლებისაკენ. წითელი არმიის რიგებში იბრძოდნენ კაზაკთა ნაწილები ს. ბუდიონის, ბ. დუმენკოს, პ. ბახტუროვის და სხვ. სარდლობით. ჰ-ის გადმოსვლა საბჭ. ხელისუფლების მხარეზე განმტკიცდა სრულიად რუს. მშრომელ კაზაკთა I ყრილობაზე (1920 თებ.-მარტი). 1920 სრულიად რუს. ცაკის დადგენილებით კაზაკთა ყველა ოლქზე გავრცელდა რსფსრ კანონმდებლობა, რითაც ბოლო მოეღო ჰ-ის, როგორც დამოუკიდებელი სამხ. ფენის, არსებობას. ჰ. ფართოდ ჩაება სოციალ. მშენებლობაში. 1936 გაუქმდა წითელ არმიაში ჰ-ის სამსახურის შეზღუდვები. ჩამოყალიბდა ახ. ცხენოსანთა დივიზიები. დიდი სამამულო ომის დროს კაზაკთა ნაწილები პ. ბელოვის, ლ. დოვატორის, ი. პლიევისა და სხვ. სარდლობით გმირულად იბრძოდნენ გერმ. ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

ლიტ.: Голобуцкий В. А., Запорожское казачество, К., 1957; მ ი ს ი ვ ე, Черноморское казачество, К., 1956.

ჰაზაკოვი იური პავლეს ძე (დ. 8. VIII. 1927, მოსკოვი), რუსი საბჭ. მწერალი. თხზულებებს აქვეყნებს 1952-ზდან. ავტორია მოთხრობათა კრებულებისა „მანკა“ (1958), „მეძებარი ძაღლი არქტური“ (1958, ქართ. თარგმანი 1973), „ცისფერი და მწვანე“ (1963, ქართ. თარგმანი 1975), „შემოდგომა მუხის ტყეებში“ (1969, ქართ. თარგმანი 1975) და სხვ. წერს საბავშვო მოთხრობებსაც (კრებ. „ტროპიკები ღუმელზე“, 1962). ჰ-ის გმირები სულიერად მდიდარი, დახვეწილი ადამიანები არიან. მწერალი დიდი ფსიქოლ. სიმართლით აღწერს მათს ბრძოლას მეშჩანურ კაღნიერებასთან.

ჰაზაკოვი მათე თედორეს ძე [1738, მოსკოვი,—26. X (7. XI). 1812, რიაზანი], რუსი არქიტექტორი, *კლასიციზმის* ერთ-ერთი ფუძემდებელი XVIII ს. რუს. არქიტექტურა-

ე. კაზაკევიჩი.

დონის კაზაკი. XVIII ს. გრავიურიდან.

უკრაინელი კაზაკები. მამაკაცი და ქალი. XVIII ს. ნახატიდან.

ზ. კაზაკოვი.

ზ. კ ა ზ ა კ ო ვ ი. ფილიპე მიტროპოლიტის ეკლესია. მოსკოვი. 1777—88. ინტერიერი.

ი. კაზალგაშვილი.

ბ. კაზანსკი.

ნ. კაზანძაკისი.

კაზრეთი. სამების ეკლესია. XIII ს. I მეოთხედი. მორთულობის დეტალი.

ში. სწავლობდა დ. უხტომსკის საარქიტექტურო სკოლაში, მოსკოვში (1751–60). 1763–67 პ. ნიკიტინის ხელმძღვანელობით მუშაობდა ტვერში. 1768–74 იყო ვ. *ბაჟენოვის* თანაშემწე, მუშაობდა კრემლის დიდი სასახლის დაპროექტებაზე. კ-მა დაამუშავა ქალაქური საცხოვრ. სახლებისა და საზ. შენობების ტიპები, რ-თაც განსაზღვრეს XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყ. მოსკ. არქიტ. სახე და მისი შემდგომი განაშენიანების ხასიათი [სენატი (ამჟამად სსრკ უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო), 1776–87; უნ-ტი, 1786–93 (გადააკეთა დ. ჟილიარდიმ)]. არქიტ. ფორმების მთლიანობითა და პლასტიკურობით ხასიათდება ფილიპე მიტროპოლიტის (1777–88), ამაღლების (1790–93) და სხვ. ეკლესიები. ინტერიერში იყენებდა დიდ ორდერს (საბჭოების სასახლის სვეტებიანი დარბაზი), ქანდაკებას (სენატი, უნ-ტი), მონუმ. ფერწერას (დემიდოვის სახლის ე. წ. „ოქროს ოთახები"). 1800–04 კ. ხელმძღვანელობდა მოსკ. გენ. და „ფასადური" („ჩიტის თვალსაწიერიდან") გეგმების შედგენასა და მოსკ. მნიშვნელოვან ნაგებობათა არქიტექტურული ალბომების (13) სერიის შექმნას. კ. იყო ნიჭიერი გრაფიკოსი. იგი ავტორია საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილი ნაწარმოებებისა. მისი მოწაფეები იყვნენ ი. ეგოტოვი, ა. ბაკარევი, ი. ტამანსკი, მ. კაზაკოვი, რ. კაზაკოვი, ო. ბოვე და სხვ.

ლიტ.: Власюк А. И., Каплун А. И., Кипарисова А. А., Казаков, М., 1957.

კაზალიკაშვილი იაგორ ივანეს ძე (2. V. 1882, სოფ. სტეფანწმინდა, ახლანდ. დაბა ყაზბეგი, — 15. IX. 1935, იქვე), ქართველი ალპინისტი, საბჭ. ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ღარიბი გლეხის შვილი. ერთხანს მუშაობდა დვდარაკის (ყაზბეგის რ-ნში) სპილენძის მაღაროში მუშად, შემდეგ იყო მთამსვლელ-გამყოლი. ხევში საკოლმ. მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები და ყაზბეგის კოლ-ბის პირველი თავ-რე. 1907 პირველად ავიდა მყინვარწვერზე. 1923 იყო მყინვარწვერზე პირველი საბჭ. ასვლის მთავარი გამყოლი. 1934 უშბაზე პირველი საბჭ. ასვლის მონაწილე. ავიდა იალბუზზე, ადაი-ხოხზე, თეთნულდზე, მარუხზე და სხვ. ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის პირველი მოზამთრე. გამოქვეყნებული აქვს ლექსები.

თხზ.: ლექსები, თბ., 1933.

კ. ჯავრიშვილი.

კაზანლიკი, ქალაქი ბულგარეთის ცენტრ. ნაწილში, სტარა-ზაგორის ოკრუგში, გაშენებულია კაზანლიკის ქვაბულში, სტარა-პლანინის ქედის სამხრ. კალთებთან, შიპკის უღელტ. მახლობლად. 60 ათ. მცხ. (1975). მანქანათმშ. (ჩარხები, ჰიდრავ. მოწყობილობა და სხვ.), საფეიქრო, კვების, ხის დასამუშ. მრეწველობა. ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგური. კ-ის რ-ნში არის მსოფლიოში ცნობილი კაზანლიკური ვარდის პლანტაციები.

კაზანლიკის ქვაბული, მთათაშუა ტექტონიკური ქვაბული ბულგარეთში. სიგრძე 94 *კმ,* საშ. სიგანე დაახლ. 10 *კმ,* ფართ. დაახლ. 780 *კმ²,* საშ. სიმაღლე 350 *მ.* ჩრდ-ით ესაზღვრება სტარა-პლანინის ქედის კალთები, სამხრ-ით — სრედნა-გორის კალთები. კ. ძ-ის ფსკერის რელიეფი ვაკეა, აღმ-ით — ბორცვიანი. ქვაბულზე გადის მდ. ტუნჯა (მდ. მარიცის შენაკადი). ჰავა ზომიერია, თბილი. იანვ. საშ. ტემპ-რა 0-იდან 2°C-მდე, ივლ. 20°C-მდე. ნალექები 600 *მმ*-მდე წელიწადში. გაშენებულია კაზანლიკური ვარდისა და სხვა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციები, მარცვლოვნები, ხეხილი, ვენახი. კ. ძ-შია გ. დიმიტროვის სახ. წყალსაცავი, ჰესი.

კაზანლიკური ვარდი, იხ. *ვარდი ეთერზეთოვანი.*

კაზანოვა (Casanova) დანიელ (9. I. 1909, აიაჩო, კორსიკა, — 9. V. 1943, ოსვენციმი), საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გმირი ქალი. კორსიკელი მასწავლებლის შვილი. პარიზში სწავლობდა მედიცინას. მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში, შევიდა კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციაში. 1933-იდან საფრ. კომპარტიის წევრი. 1936-იდან ხელმძღვანელობდა საფრ. ქალიშვილთა კავშირს. 1935 მოსკოვში ესწრებოდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესს, რ-ზეც აირჩიეს აღმასრ. კომიტეტის წევრად. 1942 დააპატიმრა გესტაპომ. გარდაიცვალა ტიფით საკონცენტრაციო ბანაკში. კ-ს სახელს ატარებს პარიზის ერთ-ერთი ქუჩა.

კაზანოვა (Casanova) ჯოვანი ჯაკომო (2. IV. 1725, ვენეცია, — 4. VI. 1798, ცხედარბაზი დუქსი, ბოჰემია), იტალიელი მწერალი. ცნობილი ავანტიურისტი; სახელისა და სიმდიდრის ძიებაში მოიარა თითქმის მთელი ევროპა, იყო ჯარისკაცი, მუსიკოსი, ბიბლიოთეკარი; არაერთხელ ოჯდა ციხეში. კ-ს ეკუთვნის ისტ. თხზ. „ისტორია მღელვარებისა პოლონეთში" (1774–75), კანტატა „ტრიესტის ბედნიერება" (1774), ფანტასტ. რომანი „იქსამერონი..." (1788, ფრანგ. ენაზე). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის „მოგონებებს" (ნაწ. 1–12, 1822–28).

კაზანსკი ბორის ალექსანდრეს ძე [13 (25). IV. 1891, ოდესა, — 5. IV. 1973, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), სოციალისტური შრომის გმირი (1969). 1918 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (იყო ნ. *ზელინსკის* მოწაფე). 1936-იდან სსრკ მეცნ. აკად. ორგ. ქიმიის ინ-ტის კატალიზური სინთეზის ლაბორ. გამგე, ხოლო 1954–66 ამავე ინ-ტის დირექტორი. კ-მ გამოიკვლია ციკლური ნახშირწყალბადების C_3–C_{15} კატალიზური ჰიდროგენოლიზი; აღმოაჩინა და შეისწავლა პარაფინების, ოლეფინების, ალკილარომატული ნახშირწყალბადებისა და ციკლოალკანების C_5-და C_6-დეჰიდროციკლიზაციის რეაქციები Pt და სხვა კატალიზატორებზე და ა. შ.; გ. *ლანდსბერგთან* ერთად დაამუშავა პირდაპირი გამოხდის ბენზინის ინდივიდ. შედგენილობის შესწავლის მეთოდიკა. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949), დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

კაზანცევი ფლორენტი პიმენის ძე [6 (18). XII. 1877, ბუგულმა, ახლანდ. თათრ. ასსრ, — 4. XI. 1940, მოსკოვი], საბჭ. გამომგონებელი, რკინიგზის ავტომ. პნევმ. მუხრუჭების ავტორი. 1909 გამოიგონა ორსადენიანი პნევმ. მუხრუჭის ჰაერმანაწილებელი. ასეთი მუხრუჭები 1925 დააყენეს ბაქო—ბათუმის რკინიგზის ხაზის ნავთობასხმელ მატარებლებზე. 1925 გამოიგონა ერთსადენიანი ხისტი მუხრუჭის ჰაერმანაწილებელი, ხოლო 1927 ნახევრად რბილი მუხრუჭის ჰაერმანაწილებელი (ე. წ. კაზანცევის მუხრუჭი). კ-ის სახელი ჰქვია მოსკ. მუხრუჭების ქ-ნაში შემუშავებულ (1926) მემანქანის ონკანს, რ-იც განკუთვნილია სატვირთო ლოკომოტივებისათვის. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

კაზანძაკისი (Kazantzakēs) ნიკოს (18. II. 1882, ქ. ჰერაკლიონი, კ. კრეტა, — 29. X. 1957, ფრაიბურგი, გფრ), ბერძენი მწერალი. მსოფლიო მშვიდობის საბჭოს საერთაშ. პრემიის ლაურეატი (1956). 1925–29 ვ-ჯერ იყო სსრკ-ში. კ-ის ადრინდელი თხზულებებია მოთხრ. „გველი და შრომანი" (1906), პიესები „ნათდება" (დაიდგა 1907), „მსხვერპლის შეწირვა" (1910). 10-იან წლებში განიცადა რეაქციული იდეალ. ფილოს. გავლენა. ამის მიუხედავად, კ. მიესალმა ოქტ. რევოლუციას [„მოსკოვი გვიხმობს", ფრანგ. ენაზე, 1931 (ბერძნ. ენაზე — სახელწ. „ტოდა რაბა" — 1934); მოგზაურის ნარკვევები „რა ვნახე რუსეთში", 1928 და სხვ.]. მისი იდეური ძიებები აისახა ფილოს. ნარკვევში „ასკეტიკა" (1927). კ-ს ეკუთვნის ფილოს. დრამები, რომანები, პოემები, ტრილოგია და სხვ.

„კაზარმა", არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა 1906 წ. 15 თებ-იდან 1907 აპრ-მდე. გამოიცა 13 ნომერი. იბეჭდებოდა პეტერბურგში, მოსკოვსა და ფინეთში. პირველი 3 ნომერი გამოვიდა მენშევიკების მონაწილეობით. 1906 ნოემბრიდან — ბოლშევიკების სამხ. და საბრძოლო ორგანიზაციების ცენტრ. გამოცემა. გაზეთის რედკოლეგიაში შედიოდნენ: ვ. ვოროვსკი, მ. ოლმინსკი, ვ. მენჟინსკი, ვ. ბონჩ-ბრუევიჩი, ე. იაროსლავსკი და სხვ. „კ." ეწეოდა რევ. აგიტაციო-პროპაგანდას სამხ. ნაწილებში. ტირაჟი: 5–20 ათ. მისი გამოცემა შეწყდა პოლიციის მიერ რსდმპ სამხ. ორგანიზაციის განადგურებასთან დაკავშირებით. 1931 საკკპ (ბ) ლენინგრადის ისტ. ინ-ტმა „კ." ცალკე წიგნად გამოსცა.

კაზატინი, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ვინიცის ოლქში. კაზატინის რ-ნის ცენტრი. დიდი სარკინიგზო კვანძი. რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე საწარმოები, მეფრინველეობის კომბინატი, ზეთსახდელი, პურის, კომბინირებული საკვების ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა.

„კაზახსტანსკაია პრავდა", ყოველდღიური გაზეთი, ყაზ. სსრ კპ ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ორგანო; გამოდის ალმა-ათაში 1920-იდან. გაზეთს რამდენჯერმე შეეცვალა სახელწოდება. „კ. პ." ჰქვია 1932-იდან. ტირაჟი 170 ათ. ცალი (1979).

კაზეინი (<ლათ. caseus—ყველი), რთული ცილა, *ფოსფოპროტეიდი,* რ-იც წარმოიქმნება კაზეინოგენის პეპტიდური ბმის დაშლით რძის შედედებისას. კ. კარგად იხსნება მარილხსნარში, ცოტაოდენი მჟავას დამატებისას ილექება. მოლ. მასა 75000–100000. გამომშრალი კ. უსუნო და უგემოო თეთრი ფხვნილია. რძისა და მისი პროდუქტების ძირითადი კომპონენტია, შეადგენს ძროხის რძის 2,8–3,5%-ს, ხოლო ქალის რძის — 0,3–0,9%-ს, შეიცავს ყველა შეუცვლელ ამინომჟავას. კვების მრეწველობაში კ-ს იყენებენ ცილებიან მდიდარი, ადვილად შესათვისებელი პროდუქტების დასამზადებლად, მრეწველობაში კი საღებავის, წებოს, ხელოვნური ბოჭკოს, პლასტიკატისა და სხვ. დასამზადებლად.

კაზელა (Casella) ალფრედო (25. VII. 1883, ტურინი,—5. III. 1947, რომი), იტალიელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი და მუსიკათმცოდნე, რომის აკადემიის „სანტა-ჩეჩილიას" პროფესორი (1915), როგორც დირიჟორი და პიანისტი გამოდიოდა მრავალ ქვეყანაში (1907, 1909 — რუსეთში; 1926, 1935 — სსრკ-ში). ეროვნ. მუს. საზ-ბის დამაარსებელი რომში (1917, 1923-იდან ახ. მუს. კორპორაცია, რ-იც თანამედროვე მუსიკის საერთაშ. საზ-ბის სექციაა). კ. ნეოკლასიციზმისა და მოდერნიზმის მიმდევარი და ქომაგი იყო. დაწერა ოპერები („ქალი-გველი", „ზღაპარი ორფეევსზე", ორივე დაიდგა 1932), ბალეტები, სიმფონიები, საფორტეპიანო ტრანსკრიფციები, ნაშრომები მუსიკის თეორიის საკითხებზე, 1952-იდან ნეაპოლში ტარდება კ-ს სახ. პიანისტთა საერთაშ. კონკურსი.

კაზიმეჟი (Kazimierz), პოლონეთის მეფეთა და მთავართა სახელი. **კ. I** ა დ მ დ გ ე ნ ე ლ ი [25. VII. 1016 — 24. X (ან 28. XI), 1058], მთავარი 1038 ან 1039-იდან, პიასტების დინასტიიდან. ტახტზე ავიდა გერმ. იმპ. *ჰაინრიხ III-ის* მხარდაჭერით. მისი პოლიტიკის მიზანი იყო პოლ. მიწების გაერთიანება. კიევის რუსეთის დახმარებით დაიბრუნა (1047) მაზოვია, 1054 შეიძინა სილეზია. ხელს უწყობდა პოლონეთში გერმ. უმაღლეს

ამლვდელოებისაგან დამოუკიდებელი საეკლ. იერარქიის განმტკიცებას. **ჰ. II** ს ა ქ ა რ თ ლ ი ა ნ ი (1138 — 5. V. 1194), მთავარი 1177-იდან. **ჰ. III** დ ი დ ი (30. V. 1310, კოვალი, — 5. XI. 1370, კრაკოვი), მეფე 1333-იდან, პიასტების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი. გაბოსცა ვისლიცა-პეტროკოვის სტატუტი (1346—47), რ-შიც აისახა წოდებრივი მოარქიის ჩამოყალიბება პოლონეთში. შეიღო დამოუკიდებელი „გერმანული საართლის" უმაღლესი სასამართლოები, ოლ. ქ-ებს აუკრძალა იურიდ. საკითხებზე უცხოელთათვის მიმართვა. გაატარა ფულის რეფორმა (1337—46), რ-მაც ელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებასა და ფასების სტაბილიზაციას. ჰ. III-ის �ს გაიხსნა კრაკოვის უნ-ტი (1364).

აზინი ვასილი ვასილის ძე [დ. 25. VII (6. VIII). 1898, მოსკოვი], რუსი საბჭ. ოეტი. თხზულებებს აქვეყნებს 1914-იდან. 922 გამოსცა ლექსების კრებ. „მუშა მაიი". ჰ-მა საბჭ. ლირიკაში შემოიტანა მუის თემა, უმღერა კოლექტ. შრომის ძალას და სილამაზეს (ლექსები „ციური არნანა", 1919; „ქვის მთელელი", „შალაინი", ორივე 1920). ავტორია პოემებისა მელიის ქურქი და სიყვარული" (1926), დიადი წამოწყება" (1954) და სხვ. დალდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

აზინო (ფრანგ. casino<იტალ.), ბურუაზიულ ქვეყნებში: 1. აზარტული თამაისათვის განკუთვნილი სახლი. 2. ქალაქარეთ ან კურორტზე ესტრადითა და სხვაასხვა გასართობით მოწყობილი რესტორანი.

აზინცი (Kazinczy) ფერენც (27. X. 759, ერშემიენი,—23. VIII. 1831, სეინჰეიმი), უნგრელი მწერალი და საზოგاო მოღვაწე. უნგრ. მეცნ. აკად. ნ. წ. 1830-იდან). რ-ედაქტორობდა პირველ ნგრ. ლიტ. ჟურნალებს „მადიარ მუზეუმსა" („Magyar Muzeum") და „ორფეუსს" („Orpheus"). ჰ. სათავეში ჩაუდგა უნგრ. ის განახლებისათვის დაწყებულ მოძრაობას, ბრძოლა გამოუცხადა უნგრ. ეპიგონურ ლიტ-რას და ბიძგი მისცა ორიგინ. ეთმყოფი ლიტ-რის განვითარებას. ს ეკუთვნის „პოეტური ეპისტოლე ჩემს ეგობარს მიჰაი ვიტკოვიჩს", ეპიგრამების ებ. „ეკლები და ყვავილები", „მოგონები ჩემი ცხოვრებიდან" (1828) და სხვ.

აზლარი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში ორმუღანლოს სოფსაბჭო), იერის ზეგანე, მდ. იერის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 440 საგარეჯოდან 40 *კმ*, ბადიაურიდან ახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. ლამლოს მეთესლეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ამბალოში (2 *კმ*). საფერშლო-სამეანო უნქტი.

აზმი, სხვადასხვა მასალის (მადანი, ნდნის კონცენტრატები და აგლომერატები, ბრუნი წიდა, ჯართი და ა. შ.) ნარევი, ოგჯერ (მაგ., შასტურ ღუმლებში ლიონთა დნობისას) საწვავსაც უმატებენ. ს გადაამუშავებენ მეტალ., ქიმ. და სხვა რეგატებში. აგრეგატში შეიძლება ჩაიყრთოს აგრეგატის გარეთ დამზად�sელი ჰ-ის თანაბარი ნარევი ან მისი ცალკეული მდგენელი პორციები (ფენებად).

ზრეთი, დაბა (1965-იდან) ბოლნისის ნ-ში, მდ. მაშავერის ხეობაში (ხრამის ერჯვ. შენაკადი). სადაბო საბჭოს ცენტრი (შედის სოფ. ბალიჭი). ზ. დ. 680 *მ*, ლნისიდან 18 *კმ*. რკინიგზის სადგური ბილისი—ერევნის სარკინიგზო ხაზს უკავრდება მარნეულ—კაზრეთის განშტოება). სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (მუშაობს მადნეულის პოლიმეტალური ბაზაზე). 2 საშ. და საღამოს (ცვლიანი) სკოლა, პროფტექ. სასწავლებელი, ბავშვთ ბაგა და ბაღი, კულტსახლი, ეუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, პოლიკლინიკა, 3 მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირბმ. განყ-ბა.

1970—76 ჰ-სა და მის მიდამოებში აღმოჩნდა (ხელმძღვ. მ. სინაურიძე) არქეოლ. ძეგლები: 1) ადრინდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლოს ნაშთი და გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის სამაროვნები (ძვ. წ. VII—VI სს.) რკინიგზის სადგურთან ე. წ. „ველებზე". სამარხები ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი იყო. მიცვალებულები იწვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე ხელფეხმოკეცილნი. სამარხებში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რკინის შუბისპირები, ისრისპირები და სატეერები, ბრინჯაოს ფიბულა და სამაჯურები, სხვადასხვა მასალის მძივები. 2) ანტ. ხანის (I—III სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი დაბაში. აღმოჩნდა ბრინჯაოს ენოხოია, რ-ზეც ამოკვეთილია მოცეკვავე ფიგურები; მინისა და თიხის ჭურჭელი. 3) ეკლესიის ნანგრევები და სამაროვანი ჰ-ის კარიერ „ბუჭრიანში". აღმოჩნდა VI—VII სს. ქვის სტელებისა და ჯვრების ფრაგმენტები. XI—XIII სს. პოლიქრომული ჭურჭლისა და ქართ. ასომთავრული წარწერებიანი კრამიტის ნატეხები. 4) მდ. კაზრეთის მარჯვ. ნაპირზე პატარა ეკლესიის გათხრების დროს იპოვეს V—VII სს. სტელები, ჯვრები და XVI—XVII სს. სამაროვანი. 5) წითელი ტუფის ორფერდა სახურავით გადახურული ფეოდ. ხანის ქვიშაქვის სარკოფაგი სოფ. ბალიჭში (ხელმძღ. ვ. ჯაფარიძე). გულაღმა ჩასვენებულ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა რკინისღეროიანი ოქროს საკინძი და ოქროს ბეჭედი. სარკოფაგის ჩრდ-ით აღმოჩნდა 11 ქვის სამარხი, მიცვალებულები იწვნენ გულაღმა უინვენტაროდ. სარკოფაგის დას-ით ნაპოვნია მასიური კედლების ნანგრევები, V—VII სს. მოჩუქურთმებული ჯვრებისა და ადრინდ. ფეოდ. ხანის კერამიკის ნაშთები. სოფელში ზედაპირულად აიკრიფა XI—XIII სს. კერამიკა. სოფლის აღმ-ით ადგილ „სიპქვიებზე" გამოვლინდა (ხელმძღვ. მ. სინაურიძე) შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) სამარხები, რ-შიც შავპრიალა კერამიკა აღმოჩნდა. 6) ზურაბიშვილების სასახლის ნანგრევები ადგილ „სამტრედოში". გამოვლინდა სამეურნეო სათავსები, კარის ეკლესია. აგრეთვე XVII ს. დასასრ.—XVIII ს. დასაწყ. თიხის სადა და მოჭიქული ჭურჭელი, ქაშანურისა და მინის ნაკეთობანი, სამეურნეო იარაღი.

ჰ-ში არის XIII ს. I მეოთხედის ხუროთმოძღვრების ძეგლი — სამონასტრო კომპლექსი, რ-ის ხუროთმოძღვრული დომინანტია სამების ერთნავიანი ეკლესია. გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის მაღალი, უგუმბათო შენობა ნაგებია სუფთად დამუშავებული ქვით. შემკულია მდიდრული დეკორით. აღმ-ით ძალიან ღრმა აფსიდი აქვს, ჩრდ-ით და დას-ით — პორტალებიანი ორი შესასვლელი. ტრადიციულად შესასვლელს სამხრ-იდან აკეთებდნენ, მაგრამ აქ მთავარია ჩრდ. შესასვლელი, ვინაიდან ერთადერთი მისადგომი გზა ჩრდ.-დას-იდანაა. ძეგლის მეორე თავისებურებაა ის, რომ აფსიდს ორის ნაცვლად მხოლოდ ერთი სადგომი ეკვრის ჩრდ. მხარეს. აფსიდში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ფასადებს ამკობს სარკმლების დეკორ. ჩარჩოები, პორტალებს — რთულპროფილიანი ჩუქურთმები. ჰ-ის მიდამოებშია ეკლესია *სათხე* (განვითარებული შუა საუკ.).

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სომხითსაორბელოს ძეგლების წარწერები, «თსუ შრომები», 1951, ტ. 43; ს ი ნ ა უ რ ი ძ ე მ., 1974—75 წწ. არახლო-ბაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, წგნ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, [ტ.] 5, თბ., 1977; ს ი ნ ა უ რ ი ძ ე მ., ბ ე რ ი ძ ე თ., კაზრეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1971, № 27—28; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., კაზრეთის ბერძნული წარწერა, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1967, ტ. 27B; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ვ., ჩვენი ისტორიის ერთი მემატიანე (კელავ ბუჩურაშვილის ეკლესიის შესახებ), «ძეგლის მეგობარი», 1975, № 39.

მ. სინაურიძე. ვ. დოლიძე.

კაზუარისნაირნი (Casuariiformes), დიდტანიანი *უფროპო ფრინველების* რიგი. აქვთ ძლიერ რედუცირებული, ოდნავ შესამჩნევი ფრთები, ძლიერი, სამთითა ფეხები. გავრცელებული არიან ავსტრალიასა და მის მახლობელ კ-ებზე. ჰ-თა რიგში 2 ოჯახია: კაზუარისებრნი და ემუსებრნი. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ერთადერთი სახეობა — *ემუ*. კაზუარისებრთა ოჯახში 3 სახეობაა. თავზე აქვთ საკმაოდ დიდი რქოვანი კორძი, ბუმბული შაგია. ჰ. იკვებებიან ჩამოცვენილი ნაყოფით, კენკრითა და თესლით.

კაზრეთი. სამების ეკლესია. XIII ს. I ნახევარი.

კაზუს ბელი (ლათ. casus belli), მოვლენა, ფაქტი, რ-იც ომის ფორმალური საბაბია და არა მისი გამომწვევი ნამდვილი მიზეზი. მაგ., I მსოფლიო ომის ჰ. ბ. იყო ბოსნიის ქ. სარაევოში ავსტრიის ერცჰერცოგის ფერდინანდის მკვლელობა 1914 წ. 28 ივნისს.

კაზუსი, 1. შემთხვევა, ამბავი (უჩვეულო ან სასაცილო). 2. იურიდ. თვალსაზრისით რთული, დახლართული საქმე. 3. (სამართ.) სისხლის სამართ. კანონით გათვალისწინებული მავნე შედეგის გამოწვევა ბრალის გარეშე.

კაზრეთი. ბრინჯაოს ენოხოია გრაფიკული გამოსახულებით. I—III სს. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

კაზუს ფედერისი (ლათ. casus foederis), გარემოება, ფაქტი, რ-იც სახელმწიფოს ავალდებულებს, სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, ომში ჩაებას მოკავშირე სახელმწიფოს მხარეზე ან ომი დაიწყოს მის დასაცავად. თუ სამოკავშირეო ხელშეკრულება თავდაცვითია, ჰ. ფ. ჩნდება მაშინ, როცა ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს თავს დაესხმის ან ომს გამოუცხადებს სხვა სახელმწიფო.

კათალიკოსთა სამართალი, კანონები, რ-ებიც შეადგინა დას. საქართველოს საეკლესიო კრებამ XVI ს. შუა წლებში. შედგება 3 ნაწილისაგან: შესავალი, კანონთა მუხლები და კრების მონაწილე პირთა ხელრთვები; შეიცავს 23 მუხლს. ძეგლი სისხლის სამართ. სჯულდებას წარმოადგენს. დანაშაულთა სახეებიდან აღსანიშნავია მეფის ღალატი, მკვლელობა, კაცის გაგიდვა, ეკლესიის გატეხა, ქურდობა, რძლის შერთვა და სხვ. დაწესებულია მკაცრი სასჯელები: სიკვდილით დასჯა, ხელის მოკვეთა, გაძეეება, შეჩვენება და სხვ. ჰ. ს-ის მთავარი წყაროა დიდი *სჯულისკანონი*; გათვალისწინებულია ქართ. საეკლ. სჯულმდებლობის ტრადიციებიც და პრაქტიკაც. ჰ. ს. შედგენილია დას. საქართველოსთვის, მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლ. წესწყობილების დამახასიათებელი ძეგლია. კანონთა შედგენაში მონაწილეობდა „ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია", რითაც კანონთა მოქმედება სანქციონირებული იყო აღმ. საქართველოშიც.

კაზრეთი. სტელის ფრაგმენტი ჯვრისა და ვარდულის გამოსახულებით. VI—VII სს. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

პუბლ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963, გვ. 393—397, 603—613.

ი. დოლიძე.

კათალიკოსი (ბერძნ. katholikos—საყოველთაო, მსოფლიო), ქრისტიანული ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაურის უმაღლესი ტიტული ბიზანტიის იმპერიის ფარგლებს გარეთ. ქართ. მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური ჰ-ად იწოდებოდა დაახლ. 466—474-იდან. XI ს-მდე ქართ. ეკლესიის მეთაურს „ქართლის კათალიკოსს" („მცხეთის კათალიკოსი") უწოდებდნენ, XI ს-იდან „ქართლის კათალიკოსი" იხმარება „საქართველოს პატრიარქის" თანაბარი მნიშვნელობით, გვხვდება ერთადაც — „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი".



კაზუარისნაირნი. ჩვეულებრივი კაზუარი (Casuarius casuarius).

დას. საქართველოში ცალკე საკათალიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ (იხ. *აფხაზეთის საკათალიკოსო*) მისი მეთაური იწოდებოდა „აფხაზთა კათალიკოსად", XV ს-იდან „აფხაზთა პატრიარქად" (იგივე „კათალიკოს-პატრიარქი"). ცვლილებები

კათალიკოსი

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

მელქისედეკ I (1010 — 1033), იოანე-ოქროპირი (1033 — 1048), გიორგი (XI ს. შუა წწ.), გაბრიელ III (XI ს. 70-იანი — XI ს. დასასრ.), ბასილი (XI — XII სს. მიჯნა), იოანე (XII ს. პირველი მეოთხედი), სვიმონი (XII ს. მეორე მეოთხედი), ნიკოლოზ I (დაახლ. 1150 — 1178), მიქაელი (დაახლ. 1178 — — 1187), თეოდორე I (დაახლ. 1187—1204), იოანე (XIII ს. 10-იანი წწ.), ეტიენნე, ეპიფანე (XIII ს. 10—20-იანი წწ.), გიორგი (XIII ს. 20—30-იანი წწ.), ნიკოლოზ II (XIII ს. 30-იანი წწ.), მიქაელი (XIII ს. 30-იანი წწ.—1241), არსენი (დაახლ. 1242 — 1244), არსენი (დაახლ. 1244 — — 1247/48), ნიკოლოზ III (დაახლ. 1247/48—1282), აბრაამ I (1282 — XIII — XIV სს. მიჯნა), ეფთვიმე. ევფემეოს (XIV ს. 10-იანი— 30-იანი წწ.), დოროთეოს I (XIV ს. 50-იანი—60-იანი წწ.), ელიოზ I (XIV ს. 60-იანი — 80-იანი წწ.), გიორგი (1393 — 1399), ელიოზ II (1399 — 1419), მიქაელი (1420 — 1425), დავით II (1425 — 26 და 1428), თეოდორე II (1427; 1429 — 1435/36), შიო (1435/38 — 1438; 1440 — 1443/47), დავით III (1439; 1443/47 — 1459), მარკოზი (1460 — 1465), დავით IV (1466 — 1479), კირიონ II (1917 — 1918), ლეონიდე (1918 — 1921), ამბროსი (1921 — 1927), ქრისტეფორე III (1927 — — 1932), კალისტრატე (1932—1952), მელქისედეკ III (1952 — 1960), ეფრემ II (1960 — 1972), დავით V (1972—1977), ილია II (1977-იდან).

აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი

ევაგრე (XV ს. 80-იანი წწ. — 1488), ნიკოლოზ IV (1488 — 1492), აბრაამ II (1492 — 1497), ეფრემ I (1497 — 1503) დოროთეოს II (1503 — 1505; 1511 — 1516), იოანე (დაახლ. 1505—1509), დიონოსი (დაახლ. 1510 — 1511), ბასილი (1517—1528; 1529 — 1531), მელქისედეკ II (დაახლ. 1528—1529, 1540 —1542; 1548—1552), მალაქია (დაახლ. 1532 — —1534). გერმანე (დაახლ. 1534—1540), ნიკოლოზ V (დაახლ. 1542—1547), სვიმონი (1547—1548), ზებედე I (1552 — 1556), დომენტი I (1556—1560), ნიკოლოზ VI (1561—1584), ნიკოლოზ VII (1584—1589) დოროთეოს III (1589 — — XVI ს.—დასასრ.), დომენტი II (XVI ს. დასასრ. —1610), ზებედე II (1610 —1611), იოანე (1612— — 1616), ქრისტეფორე I (1616 — 1622), ზაქარია

ქართ. ეკლესიის მეთაურის ტიტულში ასახავდა ქართ. ეკლესიის პოლიტ. და სტრუქტურული განვითარების ეტაპებს. კ-ის თანამდებობა გაუქმდა მას შემდეგ (აომ. საქართველოში 1811, დას. საქართველოში 1814), რაც ქართ. ეკლესია რუს. ეკლესიას შეუერთდა სინოდალურ სახით. კ-ის თანამდებობა აღდგენილ იქნა 1917 ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად.

საქართვ. ეკლესიის მეთაურის წოდებაა „უწმიდესი და უნეტარესი მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი". კათედრა მცხეთაშია (სვეტიცხოვლის ეკლესია), რეზიდენცია — თბილისში. საქართვ. კათალიკოს-პატრიარქთა შესახებ იხ. ცხრილი.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

კათალიკოს-პატრიარქი, *იხ. კათალიკოსი.*

კათარები (<ბერძნ. katharos — სპეტაკი, სუფთა), ქრისტიანულ-ბიურგერული მწვალებლობის მიმდევრები XI—XIII სს. სამხრ. საფრანგეთში, იტალიაში, ფლანდრიასა და დას. ევროპის სხვა ქვეყნებში. გამოხატავდნენ ქალაქის ღარიბი ფენების (უმთავრესად ხელოსნების) და გლეხობის ნაწილის პროტესტს ფეოდ. ჩაგვრის წინააღმდეგ. კ-ის დოგმატიკას საფუძვლად ედო მანიქეისტურ-დუალისტური მოძღვრება სამყაროს ორსაწყისიანობის შესახებ. ყოველივე მიწიერისა და ხორციელის დაგმობას კ. მიჰყავდა უკიდურესი ასკეტიზმისაკენ. ისინი უარყოფდნენ ქორწინებას, საეკლ. საიდუმლოებებს, წმინდანთა თაყვანისცემას, ინდულგენციებს; არ ჭამდნენ ხორცს. ამხელდნენ კათოლ. სამღვდელოების მანკიერებას (რომის პაპს თვლიდნენ სატანის მოადგილედ), მოითხოვდნენ საეკლ. მიწათმფლობელობის ლიკვიდაციას, უარს ამბობდნენ საეკლ. მეათედის გადახდაზე, დასაშვებად მიაჩნდათ თვითმკვლელობა. მათ რელიგ. ორგანიზაციებს სათავეში ედგნენ დამრიგებლები — „სრულყოფილნი" (perfecti), რ-ებიც ვალდებული იყვნენ ასკეტურად ეცხოვრათ. ეკლესია და საერო ხელისუფლება უმოწყალოდ დევნიდა კ-ს. ამის შედეგად XIII ს. დამლევსა და XIV ს. I ნახევარში ისინი თითქმის მთლიანად განადგურდნენ. კ-ის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ *ალბიგოელები.*

კათარსისი (ბერძნ. katharsis — განწმენდა), ესთეტიკური განცდის არსის აღმნიშვნელი ტერმინი ძვ. ბერძნულ ფილოსოფიასა და ესთეტიკაში. მაგ., ადრინდ. *პითაგორეიზმი* მუსიკას მიიჩნევდა სულის განწმენდის საშუალებად. *პლატონის* აზრით, კ. ათავისუფლებდა სულს სხეულებრივი განცდებისა და ტკბობისაგან. *არისტოტელე* ხაზს უსვამდა ტრაგედიისა და მუსიკის აღმზრდელობით და განმწმენდ მნიშვნელობას, მათი საშუალებით ადამიანი თავისუფლდება აფექტებისაგან. გ. ლესინგმა კ-ის ცნებაში ეთიკური შინაარსი შეიტანა, ე. ცელერმა — ესთეტიკური და ა. შ. თვალსაზრისთა სხვაობა გამოიწვია კ-ის შესახებ არისტოტელეს მოძღვრების განსხვავებულმა ინტერპრეტაციამ. ზ. ფროიდი ამ ტერმინით აღნიშნავდა ფსიქოთერაპიის ერთ-ერთ მეთოდს.

კათედერ-სოციალიზმი (გერმ. Katheder-sozialismus < Katheder — კათედრა), ბურჟუაზიული სოციალიზმის ნაირსახეობა; წარმოიშვა XIX ს. II ნახევარში, როგორც მუშათა კლასის სოციალ. შეგნებულობის ზრდის მიმართ გერმ. ბურჟ. სოც.-ეთიკური და პოლიტ.-ეკონ. სკოლების წარმომადგენელთა რეაქცია. 1872 მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შეიქმნა კათედერ-სოციალისტთა „სოციალურ-პოლიტიკური კავშირი". კ.-ს. გამანადგურებლად გააკრიტიკეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, ხოლო ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა მისი კავშირი საერთაშორისო რევიზიონიზმსა და რუსეთის „ლეგალურ მარქსიზმთან". კ.-ს., ვ. ი. ლენინის თქმით, გერმ. „ბურჟუაზიის თეორიული სილაჩრისა და პოლიტიკური დაბნეულობის ბუნებრივი და აუცილებელი გამოხატულება იყო" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 576). გარკვეული თვალსაზრისით კ.-ს. ფაშიზმის იდეოლოგიურ წინაპირობას წარმოადგენდა. კ.-ს-ის იდეებს იყენებს თანამედროვე ანტიკომუნიზმი.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 19.

ვ. კალანდარიშვილი.

კათედრა (ბერძნ. kathēdra, სიტყვასიტყვით — სკამი, დასაჯდომი ადგილი), 1. ძვ. საბერძნეთსა და რომში — ფილოსოფოსებისა და რიტორების გამოსასვლელი ადგილი. 2. ქრისტ. ეკლესიაში — ადგილი, საიდანაც ქადაგებდნენ. 3. ეპისკოპოსის (არქიეპისკოპოსის) სავარძელი ღვთისმსახურების დროს; გადატანით—ეპარქია (საეპისკოპოსო ოლქი). 4. სასწ. დაწესებულებებში, ლექტორიუმებში, სააქტო დარბაზებში— მასწავლებლის, მომხსენებლის ადგილი. 5. უმაღლეს სასწავლებელში — სასწავლო-სამეცნ. დანაყოფი, რ-იც ეწევა სასწ.-აღმზრდელობით, მეთოდოლ. და სამეცნ.-კვლ. მუშაობას ერთი ან რამდენიმე მონათესავე დისციპლინის დარგში, ამზადებს სამეცნ.-პედ. კადრებს, ხელმძღვანელობს სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას.

კათელექტროტონი, ნერვისა ან სხვა აგზნებადი ქსოვილის ცვლილება კათოდის მიდამოში ქსოვილზე მუდმივი დენის მოქმედებით. ამასთან, იცვლება უჯრედის მემბრანების განვლადობა და *ბიოელექტრული პოტენციალი,* იზრდება ქსოვილის აგზნებადობა. საპირისპირო ცვლილებები ვითარდება ანოდის მიდამოში (ანელექტროტონი). იხ. *ელექტროტონი.*

კათეტერიზაცია (<ბერძნ. katheter— ზონდი), სპეციალური სამედიცინო ინსტრუმენტის — კათეტერის შეყვანა ადამიანის სხეულის ბუნებრივ არხებსა და ღრუებში მათ გამოსარეცხად ან შიგთავსისაგან დასაცლელად. კ-ს მიმართავენ შარდის ბუშტში ან თირკმლის მენჯში შარდის შეკავებისა და საშარდე გზების დაავადებათა მკურნალობისას, აგრეთვე გულის, ფერის დაავადებათა დროს, რენტგენოლოგიური გამოკვლევისას და სხვ. კათეტერებს ამზადებენ ლითონისაგან, მინისაგან, რეზინისა და ლაქით გაჟღენთილი აბრეშუმის ქსოვილისაგან; მათი ფორმა და სისქე იზომება ნომრებით სპეც. სკალაზე. კათეტერი დაყოფილია სანტიმეტრებად, რაც მისი ზუსტად განსაზღვრულ მანძილზე შეყვანის საშუალებას იძლევა.

კათეტი (ბერძნ. kathetos — პერპენდიკულარი), მართკუთხა სამკუთხედში მართი კუთხის მიმდებარე გვერდი.

კათია ვარი, ნახევარკუნძული ინდოეთის დას. ნაწილში, კამბეისა და კაჩის ყურეებს შორის (არაბეთის ზღვა). ფართ. 40 ათ. *კმ*²-ზე მეტი. კ-ის ცენტრშე ბაზალტებითა და განაისებით აგებული პლატოსებური მაღლობები და მთებია (სიმაღლე 1177 *მ*-მდე), განაპირა ზოლში — ალუვიური დაბლობები. ნალექები დაახლ. 500 *მმ* წელიწადში. გავრცელებულია სავანა, მეჩხერი ტყე. კ-ის სამხრ. ნაწილში ბინადრობს აზიური ლომი. მთავარი ქ-ებია: ჯამნაგარი, რაჯკოტი, ბჰავნაგარი.

კათინთაუ, მწვერვალი კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ბეზენგის კედელზე, მდ-ების ენგურისა და ბეზენგის ჩერეკის წყალგამყოფზე (მესტიის რ-ნი). სიმაღლე 4970 *მ.* აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით. დამახასიათებელია ნივალური ლანდშაფტი. *მ. უთმელიძე.*

კათნატუ, სოფელი ბოგდანოვკის რ-ნში (ბოგდანოვკის სადაბო საბჭო), ჯვაბეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის სამხრ.-აღმ-ით. ზ. დ. 2000 *მ,* ბოგდანოვკიდან 7 *კმ,* ბოგდანოვკის კოლ-ბა-კომპლექსი (მეცხოველეობა). რვიწლა, ს-ლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი.

კათოდი (ბერძნ. kathodos — ქვემოთ სვლა < kata — ქვემოთ და hodos — გზა, მოძრაობა; სახელწოდება შემოიღო ინგლ. ფიზიკოსმა მ. ფარადეიმ, 1834), 1. ელექტროვაკუუმური ხელსაწყოს ან აირგანმუხტვის იონური ხელსაწყოს ელექტროდი, რ-იც ელექტრონების წყაროა. განასხვავებენ თერმოელექტრონულ, ფოტოელექტრონულ, ცივ კ-ებს და სხვ. 2. დენის წყაროს (გალვანური ელემენტის, აკუმულატორის და სხვ.) უარყოფითად დამუხტული ელექტროდი (პოლუსი). 3. ელექტროლიტური აბაზანის, ელექტრული რკალისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების ელექტროდი, რ-იც დენის წყაროს უარყოფით პოლუსს უერთდება.

კათოდლუმინესცენცია, *ლუმინოფორების* ელექტრონული კონით დაბომბვისა წარმოშობილი *ლუმინესცენცია.* მნიშ. წერტილის სიკაშკაშე და მდგომარეობა მალუმინესცირებელ ეკრანზე ისევე ადვილად და უნირეციოდ სამართავია სივრცესა და დროში, როგორც თვით ელექტრონული ნაკადი. ამიტომ კ-ს ფართოდ იყენებენ ტელევიზიაში (ელექტრონულ-სხივური ოსცილოგრაფი, სატელევიზიო მილაკი და სხვ.).

კათოდური გამმეორებელი, ელექტრონული რხევების ერთმილაკიანი მაძლიერებელი, რ-შიც ძლიერი უკუკავშირის გამ. ელექტრონული მილაკის წრედში დატვირთვიდან მოხსნილი გამოსავალი ძაბვა შესავალი ძაბვის ტოლია (ე. ი. ძაბვა მეორდება დაახლ. იმავე ფაზით, მნიშვნელობითა და ფორმით). კ. გ-ს იყენებენ რადიოტექ. მოწყობილობებში.

კათოლიკოსი (ბერძნ. katholikos — ს ყოველთაო, მსოფლიო), კ ა თ ო ლ ი კ ი ს ი ე კ ლ ე ს ი ა, რ ო მ ი ს ს ა მ ხ ვ ი ე ლ ო ე კ ლ ე ს ი ა, რ ო მ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მართლმადიდებლობასა და პროტესტანტიზმთან. გავრცელებულია ავსტრიაში, აშშ-ში, ბელგიაში, ესპანეთში, იტალიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, ლათინურ ამერ. ქვეყნებში, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, საფრანგეთში, გფრ-ში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, სსრკ-ში — ლიტვაში, ბელორ. დას. ნაწილებში, უკრაინაში. მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავს საქართველოშიც. კ. დას. ევროპაში ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა და გაბატონებულ სარწმუნოებად იქცა მ შემდეგ, რაც ქრისტიანობა 1054 ოფიციალურად გაიყო 2 ძირითად მიმართულებად — კათოლიკობად და მართლმადიდებლობად. ქრისტიანობის გათიშვის პროცესი ჯერ კიდევ III—V სს-ში დაიწყო. კ-ის ცალკე გამოყოფის პროცესი დაჩქარდა 395-იდან, როცა რომის იმპერია აღმ. და დას. ნაწილებად გაიყო. იმპერიის 2 ნაწილად გ ყოფამ, ეკონ., პოლიტ. და კულტ. განსხვავებულმა პირობებმა ბოლოოდ განსაზღვრეს ამ 2 მიმართულების თავისებურებანი. განსხვავება შეინ ორგანიზაციულ მხარესაც და კულტს. დასავლეთის ეკლესიამ შექმნა ლეგენდა, თითქოს რომის საეპისკოპოსო პეტრე მოციქულის დაარსებულია, ხოლო რომის პაპი წარმოადგენს ამქვეყნად პეტრე მოციქულის მემკვიდრეს და ქრისტეს ჭეშმარიტ ნაცვალს. 1870 ვატიკანის საეკლ. კრებაზე პაპი გამოაცხადეს რწმენის საკითხებში „შეუცდომლად და უცოდველად". კ-სა მართლმადიდებლობას ბევრი რამ აქვს საერთო. ძირითადი განსხვავება მათ შორის მდგომარეობს ე. წ. „ფილიოკეეს" საკითხში (ლათ. filioque—ძე). კათოლ. მოძღვრებით, სულიწმიდის მოფენა ხდება ა მარტო მამა ღმერთისაგან, როგორც მართლმადიდებლობაშია, არამედ ძე ღმ

ოისაგანაც. ამ დოგმატით ჰ. იესო ქრისტეს მამა ღმერთს უტოლებს და ამით ცდილობს განამტკიცოს რომის პაპის ავტორიტეტი, როგორც ქრისტეს ნაცვლისა ამქვეყნად. 1950 პაპმა პიუს XII-მ გამოაცხადა ქალწულ მარიამის ხორციელად ზეცად აყვანა, ხოლო 1954 ამასთან დაკავშირებით დაადგინეს ახ. დღესასწაული.

ჰ., მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა აღიარებს შუალედურ რგოლს — განსაწმენდელს (სალხინებელს). კათოლ. მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს „საღვთო წერილი" — ბიბლია, რ-იც, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, მხოლოდ ლათ. ენაზე ითვლება წმიდად. ბიბლიის ინტერპრეტირება ხდება „საღვთო გადმოცემით". ამ უკანასკნელში შედის სხვადასხვა ეპირად შემონახული სწავლება, წესები, ანონიგებანი, საეკლ. კრებათა დადგენილებანი — ყოველივე წმიდა, რასაც აღიარებს ეკლესია, მაგრამ არ შესულა ბიბლიის ტექსტებში. სამღვდელოების სიწმიდისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად ჯერ იდევ XI ს-ში ე. წ. კლიუნის რეფორმით ას. პირებს აეკრძალათ ქორწინება (*ცელიბატი*); ამ დოგმატის ჭეშმარიტი მიზანი ყო კათოლ. ეკლესიის უზარმაზარი ქონების დაქუცმაცების თავიდან აცილება. კათოლ. ეკლესიას, მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით, აქვს ერთი ცენტრი — *ვატიკანი*, რ-საც რომის პაპი უდგას სათავეში. შემდგომ იერარქიულ კიბეზე დგანან კარდინალები, მიტროპოლიტები, პატიარქები, პრიმასები, ეპისკოპოსები, პრესვიტერები და დიაკვნები. დას. ევროპაში . საუკუნეების მანძილზე გაბატონებული იდეოლოგია იყო. იგი ყოველთვის გადიოდა გაბატონებული კლასების მხარეს, ამართლებდა სოც. უთანასწორობას. ეა საუკუნეებში ქრისტ. ეკლესია თვით ხდა უდიდესი მიწათმფლობელი. ჰ. ისტორიულად დაკავშირებული იყო ფეოდალიზმთან. ახ. ვითარებაში იგი დიდხანს წინააღმდეგებოდა კაპიტალიზმს, მაგრამ კვე XIX ს. II ნახევრიდან ჰ. ბურჟუაზიის ელიგია გახდა. კათოლ. ეკლესია მტრულად შეხვდა ოქტ. რევოლუციას. კათოლ. ორგანიზაციები დაეხმარნენ ფაშიზმს ხელთ ადო ხელისუფლების სადავეები იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში. ვატიკანი აშკარად უჭერდა მხარს ფაშისტურ აგრესიას ბჭ. კავშირის წინააღმდეგ. ჰ. თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად ცდილობს შეეჯოს თანამედროვე ეპოქის იმ დიდ ცვლილებებს, რ-ებიც მსოფლიოში ხდება. 1963 როს პაპი ენციკლიკაში („მშვიდობა დედამიწაზე") იძულებული გახდა დაეგმო გამალებული შეიარაღება, ელიარებინა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობა, ხოლო ინფლიქტების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებად მოლაპარაკება გამოცხადებინა. ჰ., ისევე როგორც ნებისმიერი ელიგია, წარმოადგენს რეაქციულ ანტიეკ. მოძღვრებას, ხოლო მისი ოფიც. ფილოსოფია — ნეოთომიზმი არის ანტიკომუნიზმის რაფინირებული იარაღი მარქსისტული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კათოლ. ეკლესია ბევრ კაპიტალ. ქვეყანაში თავისი გავლენის გაფართოებას ცდილობს როგორც სამღვდელოების, მონაზვნური ორდენებისა და მისიონერული ორგანიზაციების, ისე მასობრივი ორგანიზაციების (პროფკავშირები, ახალგაზრდული, ქალთა თუ სხვ. ორგანიზაციები) მეშვეობით. იგი ეყრდნობა მრავალრიცხოვან პოლიტ. პარტიებს, რ-თაც ზოგიერთ ქვეყანაში (გფრ, იტალია, ავსტრია, ბელგია და სხვ.) ძლიერი პოზიციები აქვთ. კათოლ. ეკლესია სოც. პრაქტიკაში იყენებს რადიოს, პრესას, ტელევიზიას, კინოს, სასწავლებლების ფართო ქსელს და სხვ. კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტურ-პარტიები იცავენ რა თავიანთ მატერიალისტურ-ათეისტურ ხაზს რელიგიასთან დამოკიდებულებაში, ამავე დროს კონტაქტს ამყარებენ კათოლიკე მშრომელებთან, რათა ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ მონოპოლისტების ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ, იბრძოლონ მშვიდობისა და სოც. პროგრესისათვის.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ ა ნ ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964; ლ ე ნ ი ნ ი ვ ი., რელიგიის შესახებ, თბ., 1955; ს ა ხ ა რ ო ვ ი ს., კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა, წგნ.: მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, ქრისტიანული რელიგიის შესახებ, თბ., 1956.

ბ. ფანჯიკიძე.

ჰ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. ქრისტ. ეკლესიის გათიშვის (1054) შემდეგაც ქართ. და კათოლ. ეკლესიებს შორის ურთიერთობა თითქმის არასოდეს შეწყვეტილა. საქართვ. საერო და სას. მეთაურები ბევრჯერ ცდილობდნენ ბიზანტიის გვერდის ავლით დასავლეთთან პოლიტ. ურთიერთობის დამყარებას. XIII ს. 30-იან წლებში რუსუდან მეფე პაპ გრიგოლ IX-ს სთხოვდა დახმარებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ალუთქვამდა საქართვ. ეკლესიის შეერთებას რომის ეკლესიასთან. რომთან ამგვარ ურთიერთობას მოჰყვა კათოლიკე მისიონერთა შემოსვლა საქართველოში. პირველი მისიონერები იყვნენ ფრანცისკელთა ორდენის (შეიქმნა XIII ს. დასაწყისში) წევრები, ე. წ. მინორიტები (მორჩილი ძმები), რ-თაც იაკობ როგსანელის ხელმძღვანელობით თბილისში მონასტერი დააარსეს და შეუდგნენ ჰ-ის პროპაგანდას. ფრანცისკელებს 40-იან წლებში მოჰყვნენ დომინიკელთა ორდენის წევრები, რ-თაც აგრეთვე დააარსეს თბილისში თავიანთი მონასტერი. ზოგი გაკათოლიკეებული ქართველი ამა თუ იმ ორდენის წევრი ხდებოდა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მისიონერად მიდიოდა.

1329 პაპი იოანე XXII-ის ბრძანებით თბილისში დაარსდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო. თბილ. პირველ კათოლიკე ეპისკოპოსად დაინიშნა საქართველოში დიდხანს ნამყოფი და ქართ. ენის მცოდნე დომინიკელი ბერი იოანე ფლორენციელი. თბილისში დაარსებული საეპისკოპოსო ემორჩილებოდა სპარსეთში შექმნილ ე. წ. „სულთანიეს საარქიეპისკოპოსოს". XV ს. 50-იან წლებში ოსმ. საფრთხის თავიდან ასაცილებლად ევროპაში კოალიციური ლაშქრობის მომზადებას შეუდგნენ. ქართვ. მეფე-მთავრები პაპის ელჩს ლუდოვიკო ბოლონიელს გაკათოლიკეებასა და ომში მონაწილეობას შეპპირდნენ, დასავლეთში ელჩები გაგზავნეს და თავიანთი მზადყოფნა აცნობეს, მაგრამ დასავლეთმა ამჯერადაც უკან დაიხია. XVI ს. დასაწყისში ოსმალეთმა ჩაკეტა სრუტეები და აშკარა შეტევაზე გადავიდა. გაუქმდა თბილ. კათოლ. საეპისკოპოსო, შემცირდა მრევლი. დომინიკელები და ფრანცისკელები საქართველოში შემოსვლას ვეღარ ახერხებდნენ. ერთხანს მათი ადგილი დაიჭირეს ნახჭევნიდან გადმოსულმა სომეხმა უნითორმა ბერებმა, მაგრამ მცირე ხნით. XVII ს. 10-იანი წლებიდან ევროპასთან ურთიერთობა გაძლიერდა. XVII ს. 20-იანი წწ. დასაწყისში, მეცნიერი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს მოხსენების შემდეგ, საქართვ. ცხოვრებითა და ეკონ. ურთიერთობით დაინტერესებულმა რომმა მისიონერებად გამოაგზავნა თეატინელთა ორდენის (რ-ის შემადგენლობა, სხვა ორდენებთან შედარებით, უფრო არისტოკრატიული და განათლებული იყო) წევრები — *ავიტაბილე*, არქანჯელო *ლამბერტი*, ჯუდიჩე მილანელი, კრისტოფორო *კასტელი*, ჯუსტო პრატო და სხვ. თეატინელთა სამოღვაწეო ასპარეზი მთელი საქართველო იყო (განსაკუთრებით ქართლი, გურია, სამეგრელო). XVII ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ფრანცისკელთა ორდენის მისიონერები, ე. წ. კაფუცინები, რ-ნიც ფაქტობრივად საფრ. სავაჭრო კაპიტალის აგენტები იყვნენ. ქართველები კათოლიკობას უკავშირებდნენ საქართვ. გაერთიანებისა და გამოხსნის საქმეს. XVII—XVIII სს. ქართვ. პოლიტიკოსები ცდილობდნენ პაპის ავტორიტეტითა და საფრ. დახმარებით კაკვ. დიდი ნაწილის შეკავშირებას ირან-ოსმ. წინააღმდეგ. ევროპელებს უხატავდნენ მომხიბვლელ პოლიტ. და ეკონ. პერსპექტივებს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპაში ქართვ. ელჩობების ჩასვლას და მათ საქმიანობას [აღსანიშნავია XV ს. 90-იან წლებში კონსტანტინე II-ის წარგზავნილი ნილოსის, XVII ს. 20-იან წლებში თეიმურაზ მეფის ელჩის ნიკოლოზ ირბახის (ჩოლოყაშვილის), XVIII ს. 10-იან წლებში მეფე ვახტანგ VI-ის წარმომადგენლის სულხან-საბა ორბელიანისა და სხვ. ელჩობები], თუმცა ამას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. კათოლიკე მისიონერები ჩაბმული იყვნენ საქართვ. პოლიტ. და კულტ. საქმიანობაში. იყვნენ მეფე-მთავართა მრჩევლები, ელჩები, საიდუმლო აგენტები. მხარს უჭერდნენ საქართვ. დაქმაქსული პოლიტ. ერთეულების გაერთიანებას. ევროპასთან კათოლიკობის გზით ურთიერთობას დიდი კულტ. მნიშვნელობაც ჰქონდა. შემოსულ მისიონერებს შორის იყვნენ მწერლები, მხატვრები, ექიმები, ინჟინრები, გეოგრაფ-ასტრონომები და სხვა. კათოლიკეთა მიერ გახსნილ სკოლებში (თბილისი, გორი, ახალციხე, გურია, სამეგრელო), სადაც ქართულ ენაზე ასწავლიდნენ, ქრისტ. მოძღვრებასთან ერთად ინწავლებოდა ქართ., იტალ., ლათ., ფრანგ. ენები, მათ. დისციპლინები. ამ სკოლებში ადგენდნენ ლექსიკონებს, გრამატ. სავარჯიშოებს, აგროვებდნენ ფოლკლორულ მასალას. თითო-ოროლა ნიჭიერი ახალგაზრდა ევრ. უმაღლეს სასწავლებლებშიც ახერხებდა განათლების მიღებას. XVIII—XIX სს-ში ქართვ. კათოლიკეები ძირითადად ცხოვრობდნენ ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში და სამცხის, არტაანისა და შავშეთის სოფლებში.

ჩვეულებრივ, ქართვ. კათოლიკეთათვის მღვდელმსახურების ენა იყო ლათინური. XVI ს-იდან მის გვერდით თანდათან მოიკიდა ფეხი კაკვ. კათოლიკეთათვის ვატიკანის მიერ დამტკიცებულმა სომხურ-ენოვანმა რიტმა (ტიპიკონი). სომხურენოვანი რიტის დანერგვას ხშირ შემთხვევაში მოსდევდა ქართვ. კათოლიკეთა სახელისა და გვარის შეცვლაც ამ რიტის შესახამისად. ეს ვითარება შემდეგ ბევრ გაუგებრობას იწვევდა. XIX ს. დასაწყისში ფრანცისკელთა მისიონის წევრები, რ-ებიც მთავრობის მიერ ევრ. სახელმწიფოთა პოლიტ. აგენტებად იყვნენ მიჩნეული, თანდათან შეიზღუდნენ, რაც XIX ს. 40-იან წლებში ამ მისიონის გაუქმებით დამთავრდა. ამის შემდეგ კათოლ. მრევლს ადგილ. ქართვ.-სომეხი ბერ-მონაზვნები უძღვებოდნენ. XIX ს. 50-იან წლებში ქართვ. კათოლიკე ბერებმა, რ-ებიც სომეხ მხითარისტთა ძმობას (ვენეციაში) გამოეყვნენ, სტამბოლში დააარსეს თავიანთი კონგრეგაცია ქართულენოვანი რიტით. კონგრეგაციას ჰქონდა თავისი სტამბა და სკოლა, ბეჭდავდნენ ქართ. სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებსა და საერო ხასიათის წიგნებს. ამჟამად თბილისში, კალინინის ქუჩაზე, არსებობს კათოლიკეთა ეკლესია.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 1967; გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969; თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ლ ო მ ს ა ძ ე შ., მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964; Tamarati M., L'Église géorgienne..., Rome, 1910.

შ. ლომსაძე.

კათოლიკური ლიგა 1609, გერმანელი კათოლიკე სასულიერო და საერო ფეოდალების გაერთიანება. შეიქმნა 10 ივლ. *პროტესტანტულ უნიასთან* (1608) საბრძოლველად. მისი ინიციატორი და მეთაუ-

კათალიკოსი

(გაგრძელება)

(1623—1630), ევდემოზ I (1636—1638), ქრისტეფორე II (1638—1660), დომენტი III (1660—1676), ნიკოლოზ VIII (1678—1688 1692—1695), იოანე (1688—1692; 1695—1700), ევდემოზ II (1701 — 1705), დომენტი IV (1705—1741), ბესარიონი (1723; 1725 — —1735), კირილე (1737— — 1739), ნიკოლოზ IX (1741 — 1744), ანტონ I (1744 — 1755; 1764 — 1788), იოსები (1755 — 1764), ანტონ II (1788 — 1811).

დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქნი

მალაქია I (1519 — XVI ს. 40-იანი წწ.), ევდემონ I (1557 — 1578), ეფთვიმე I (1578—1616), მალაქია II (1616 — 1639), მაქსიმე I (1639 — 1657), ნიკიფორე (1657 — 1657), ზაქარია (1657 — 1660), სვიმონი (1660— 1666), ევდემონ II (1666 — 1669), ეფთვიმე (1669 — 1673), დავითი (1673 — 1696), გრიგოლი (1696 — 1742), ბესარიონი (1742 — 1769), გერმანე (XVIII ს. 40-იანი წწ.), იოსები (1769 — 1776), მაქსიმე II (1776 — 1795), დოსითეოსი, ქუთაელი მიტროპოლიტი, საკათალიკოსოს გამგებელი (1792 — — 1814).



კათოდური გამმეორებელი: a — ელექტრონული მილაკი; R — დატვირთვის რეზისტორი; U_g — შემოსვლის სიგნალის ძაბვა; U_a — გასვლის სიგნალის ძაბვა; E_a — ანოდზე მიწოდებული მუდმივი ძაბვა.



კათეტი. მართკუთხა სამკუთხედის ორი გვერდი (AC და BC) კათეტია. მესამე (AB გვერდი) კი — ჰიპოთენუზა.

კაიმანები. ნიანგისებრი კაიმანი (Caiman crocodilius).

კაიმანისებრი თევზი (Lepidosteus tristoechus).



კაიმანისმაგვარი კუ (Chelydra serpentina).

რი იყო მაქსიმილიან I ბავარიელი. კ. ლ. იქცა კათოლ. რეაქციის ერთ-ერთ მთავარ ძალად არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ დას. ევროპაში. კ. ლ-მ შექმნა დიდი არმია ი. *ტილის* მეთაურობით. *ოცდაათწლიანი ომის* (1618—48) დაწყებისთანავე კ. ლ-მ კავშირი შეკრა *ფერდინანდ II არაგონელთან.* ლიგის ჯარებმა მთელი რიგი გამარჯვებები მოიპოვეს. საიმპერიო არმიის შექმნის შემდეგ კ. ლ-ის გავლენა შესუსტდა. შვეიცის მეფის გუსტავ II ადოლფის არმიასთან ბრძოლებში (1631—32) დამარცხებათა შემდეგ კ. ლ. პრაღის ზავის (1635) თანახმად დაშალეს.

„კათოლიკური მოძმეობა“, მასობრივი საერო კათოლიკური ორგანიზაციების საერთო სახელწოდება. ეს ორგანიზაციები წარმოიშვა ევროპაში XIX ს. შუა წლებში კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდისა და გავლენის გავრცელების მიზნით. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია დახმარება გაუწიონ ეკლესიას შეაღწიოს განვითარებად ქვეყნებში. „კ. მ-ის“ ორგანიზაციები იქმნება ასაკის, სქესის, პროფესიისა თუ სხვა ნიშნების მიხედვით. ისინი არსებობენ თითქმის ყველა კაპიტალ. ქვეყანაში. მათი ყველაზე მსხვილი ორგანიზაციებია ქალთა კათოლ. ორგანიზაციების მსოფლიო კავშირი, ქალთა კათოლ. ახალგაზრდობის საერთაშ. ფედერაცია და სხვ. „კ. მ-ის“ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ *ვატიკანი* და საეპისკოპოსო.

კათოლიკური პროფკავშირები, იხ. *ქრისტიანული პროფკავშირები.*

კათუნი, მდინარე რსფსრ ალთაის მხარეში, ქ. ბიისკის სამხრ.-დას-ით 19 *კმ*-ზე. უერთდება მდ. ბიას და წარმოქმნის მდ. ობს. სიგრძე 688 *კმ*, აუზის ფართ. 60,9 ათ. *კმ*². სათავე აქვს მთა ბელუხის სამხრ. კალთაზე, კათუნის მყინვარში. შუაწელში განიერ ხეობაში მიედინება, ქვემოთში ხეობა უფრო ვიწროა. საზრდოობს მყინვარებისა და თოვლის წყლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავიდან 53 *კმ*-ზე 626 *მ*³/*წმ*. ზემოთში იყინება დეკ-ში, ქვემოთში — ნოემბრის ბოლოს. ყინულძვრაა აპრ. I ნახევარში. კ-ს იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. კ-ის ხეობაში გადის ჩუიის ტრაქტი.

კათუნის ქედი, კ ა თ უ ნ ი ს „ბ ე ლ კ ე ბ ი“, ქედი მთიანი ალთაის აო-ში, მდ-ების კათუნის, არგუთისა და ბერელის წყალგამყოფი. სიგრძე დაახლ. 150 *კმ*, სიმაღლე 4506 *მ*-მდე (მთა ბელუხა). აგებულია მეტამორფული ფიქლებითა და გრანიტებით. ცენტრ. ნაწილში ჭარბობს ალპ. მწვერვალები, რ-თა კალთებზე 386 მყინვარი ეშვება; გამყინვარების საერთო ფართ. 279 *კმ*². კალთები 2000—2200 *მ*-მდე შემოსილია ლარიქისა და კედრის ტყეებით, მაღლა ალპ. მდელოებია.

კაია, ხალხი ბირმაში. ცხოვრობენ ძირითადად კაიის ეროვნ. ავტონ. სახელმწიფოში და შანის ეროვნ. ავტონ. სახელმწიფოს მონპეიის რ-ნში. საერთო რაოდ. დაახლ. 100 ათ. კაცი (1967, შეფასება). ენა განეკუთვნება ტიბ.-ბირმ. ენების კაია-კარენების ჯგუფს. ანთროპოლოგიურად სამხრ. მონღოლოიდურ რასას განეკუთვნებიან. რელიგია — ბუდიზმი. დაახლ. 20% ქრისტიანია, შემორჩენილია ძვ. კულტების გადმონაშთები. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, ნაწილობრივ ხე-ტყის დაცურება.

კაიდი (არაბ., სიტყვასიტყვით — ბელადი, წინამძღოლი), ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ალჟირში, ტუნისსა და მაროკოში. განაგებდა ცალკეულ ქ-ებს, ოლქებს, ტომებს ან ტომთა ჯგუფებს. ჩვეულებრივ ინიშნებოდა დიდგვაროვან ფეოდალთა წრიდან. კ-ის ინ-ტი არსებობდა გვიანდ. შუა საუკუნეებიდან. ალჟირსა და ტუნისში მოისპო XX ს. 50—60-იან წლებში.

კაიე (Cayeux) ლუსიენ (26. III. 1864, სეზუზი,— 1. XI. 1944, მოვ-სიურ-ლუარი), ფრანგი გეოლოგი, საფრ. მეცნ. აკად. წევრი (1928), პარიზის სამთო სკოლისა (1907-იდან) და კოლეჟ დე ფრანსის (1912-იდან) პროფესორი. იკვლევდა დანალექი ქანების შედგენილობისა და გენეზისის საკითხებს. კ-მ უარყო გავრცელებული შეხედულება საწერი ცარცის ღრმა ზღვიური წარმოშობის შესახებ. შეისწავლა და მონოგრაფიულად აღწერა საფრ. ტერიტორიაზე გავრცელებული კარბონატული, კაჟიანი, რკინამადნეული და ფოსფატიანი დანალექი ქანები.

კაიენა (Cayenne), ქალაქი, გვიანის (საფრ.) ადმ. ცენტრი. 34 ათ. მცხ. (1977). ქვეყნის მთავარი ნავსადგური მდ. კაიენის შესართავთან. რომის წარმოება. ხე-ტყის ხერხვა. გააქვთ რომი, ხე-ტყე, თევზი, ტყავნედლეული და სხვ. დაარსდა XVII ს. I ნახევარში.

კაიზერი (გერმ. Kaiser<ლათ. caesar), *საღვთო რომის იმპერიისა* (962—1806) და გერმანიის იმპერიის (1871—1918) იმპერატორთა სახელწოდება.

კაიზერი (Kaiser) გეორგ (25. XI. 1878, მაგდებურგი, — 4. VI. 1945, ასკონა, შვეიცარია), გერმანელი მწერალი. პოპულარული იყო მისი ექსპრესიონისტული პიესები: „ებრაელი ქვრივი ქალი“ (1911), „რქოსანი მეფე“ (1913), „კენტავრი“ (1916), „გადარჩენილი ალკიბიადე“ (1920), ტრილოგია „გაზი“—„მარჯნები“ (1917), „გაზი I“ (1918), „გაზი II“ (1920) და სხვ. „გაზი I“ იდგმებოდა ქართ. სცენაზეც (თარგმნა გაფრინდაშვილმა, დაიდგა 1924, რუსთაველის სახ. თეატრში, რეჟ. კ. ანდრონიკაშვილი). *ნ. კაკაბაძე.*

კაიზერსლაუტერნი (Kaiserslautern), ქალაქი გფრ-ში, რაინლანდ-პფალცის მხარეში, მდ. ლაუტერის (რაინის აუზი) ნაპირზე. 100,4 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. ჩარხთმშენებლობა, საკერავი მანქანებისა და ველოსიპედების წარმოება, საფეიქრო და კვების (მ. შ. ლუდის) მრეწველობა. პედ. აკადემია. წარმოიშვა 882 როგორც სამეფო რეზიდენცია.

კაიკაციშვილი (ნამდვ. გვარი ქ ა თ ა მ ა ძ ე) გულო (1840 — 1923, სოფ. სამება, ქობულეთი), ქართველი საზოგადო მოღვაწე. იღაწოდა თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქართ. მიწების საქართველოსთან შეერთებისათვის. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ს. მესხთან, გ. ყაზბეგთან, გ. გურიელთან და სხვ. სისტემატურად აქვეყნებდა კორესპონდენციებს ქართ. პრესაში. ეწეოდა ქართ. ენის დაცვის და განმათ. იდეების პროპაგანდას ქობულეთის მხარეში. იბრძოდა *მუჰაჯირობის* წინააღმდეგ 1877—78 რუს.-ოსმ. ომის დროს. თურქთა დამარცხების შემდეგ ქობულეთის მხარის მოსახლეობის სახელით მიესალმა რუს. არმიისა და ქართ. მილიციის სარდლობას. კ. იუნკრად შევიდა ქობულეთის სახ. მილიციის რაზმში და მალე ურიადნიკი გახდა.

კ. სიკვდილამდე უანგაროდ ემსახურებოდა მაჰმადიან ქართველთა შორის ქართ. კულტ. და განათლების აღორძინების საქმეს.

ლიტ.: ს ო ს ო ლ ა ძ ე ა., გულო კაიკაციშვილი, თბ., 1973.

ქ. ჩხატარაიშვილი.

კაილასი, ქედი ჩინეთში, ტიბეტის მთიანეთის სამხრ. ნაწილში. გადაჭიმულია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ ჰიმალაის პარალელურად 300 *კმ*-ზე. სიმაღლე 6714 *მ*-მდე (მთა კაილასი). უმთავრესად აგებულია გრანიტებით. კ-ის სამხრ. კალთა ღანაწევრებულია ეროზიით, ჩრდ.—დამრეცია. თოვლის მიჯნა 5700—5900 *მ* სიმაღლეზე გადის. არის მყინვარები. ჭარბობს მაღალი მთის მშრალი სტეპი. კ-ზე სათავე აქვს მდ-ებს ინდსა და ბრაჰმაპუტრას.

კაიმანები, ალიგატორისებრთა ოჯახის 3 გვარის (Caiman, Melanosuchus და Paleosuchus) საერთო სახელწოდება. ცნობილია კ-ის 5 სახეობა, რ-ებიც ბინადრობენ ცენტრ. და სამხრ. ამერ. მტკნარ წყალში. ტანად ყველაზე დიდია შ ვ ი კ ა ი მ ა ნ ი (Melanosuchus niger), რ-ის სიგრძე 4—5 *მ* აღწევს, გვხვდება ამაზონის აუზში. იკვებება თევზით, ჭამს აგრეთვე წყალში მცურავ და ჭაობის ფრინველებს, პატარ-პატარა ძუძუმწოვრებს. იშვიათად თავს ესხმის შინაურ პირუტყვსაც.

კაიმანისებრი თევზები, ჯ ა ვ შ ნ ო ს ა ნ ი ქ ა რ ი ყ ლ ა პ ი ე ბ ი (Lepisosteidae), თევზების ოჯახი ჯავშნიანთა რიგისა. ცნობილია 1 გვარის (Lepisosteus) 3 სახეობა. გავრცელებულია ჩრდ. ამერ. და კუბის მტკნარ წყლებში. მათი სხეულის სიგრძე 2,5—3 *მ* აღწევს (იშვიათად 6 *მ* მდე). ტოფობს გაზაფხულზე. მტაცებლები არიან, იკვებებიან თევზებით. იზამთრებენ მდინარის ღრმა ადგილებში. მცირე სარეწაო მნიშვნელობა აქვთ. ზოგჯერ ზიანი მოაქვთ—გლეჯენ ბადეებს და აფუჭებენ ზიგ ბამბულ თევზს.

კაიმანის კუნძულები (Cayman Islands), დიდი ბრიტანეთის სამფლობელო ვესტინდოეთში, კარიბის ზღვაში. შედგ კ-ები დიდი კაიმანი, მცირე კაიმანი და კაიმან-ბრეკი. ფართ. 259 *კმ*². მოსახლ. 1 ათ. კაცი (1976) — კრეოლები, ზანგები, მულატები. მოსახლ. 4/5-ზე მეტი ცხოვრობს დიდი კაიმანის კ-ზე. ადმ. ც. — ჯორჯტაუნი. მართავს ინგლ. დედოფლის მიერ დანიშნული გუბერნატორი. მოსახლ. მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება. იჭერენ თევზს, კაიმანსა და კუს. იღებენ ქვამარილს. ტურიზმი. კ. კ. აღმოაჩინ ქ. *კოლუმბმა* 1503.

კაიმანისმაგვარი კუსებრნი (Chelydridae), ქვეწარმავლების ოჯახი ფარუ კისრიან კუთა ქვერიგისა. აქვთ მასიური და ოდნავ ამობურცული ბაკანი, წვერმანი კაუჭებიანი მძლავრი ყბები, თითებს შორის საცურავი აპკი. ცნობილია 2 სახეობა: კ ა ი მ ა ნ ი ს ე ბ რ ი კ უ (Chelydra serpentina), რ-იც გვხვდება სამხრ. კან დიდან ეკუადორამდე და ცხოვრობს მტკნარ წყალში; ს ვ ა ვ ი ს ე ბ რ ი კ უ (Macroclemys temminckii), რ-იც ბინადრობს აშ ის სამხრ. რ-ნებში. ორივე სახეობას სარწყაო მნიშვნელობა აქვს — იყენებენ ხორცს.

კაინოზოური ჯგუფი (ერა) (<ბერძ. kainos — ახალი და zōē — სიცოცხლე) დედამიწის ქერქის შრეთა სტრატიგრაფიული სკალის ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფი, რ-იც შეესაბამება გეოლოგიური წელთაღრიცხვის უახლეს ერას და მოიცავს თ ნამედროვე ეპოქასაც. სახელი უწოდა ინგლ. გეოლოგმა ჯ. ფილიპსმა 1841. იყოფა ლეოგენურ, ნეოგენურ და ანთროპოგენურ (მეოთხეულ) სისტემებად (პერიოდებად). კ. ე-ის ხანგრძლივობა 60—70 მლნ. წ ლია. ამ დროის მანძილზე ჩამოყალიბ კონტინენტებისა და ოკეანეების განაწ ლების დღევანდელი სახე, *ალპურ გეოსინ კლინურ (ნაოჭა) სარტყელში* წარმოიქ ნა მთები, რასაც თან ახლდა გაძლიერ ბული ვულკ. მოქმედება.

კ. ე-ის დასაწყისში დედამიწის ჰა დღევანდელთან შედარებით უფრო თბი იყო. შემდგომში, ხმელეთის ფართობ გაზრდისა და მთათა სისტემების წარმ მნის შედეგად, ჰავა უფრო ცივი გახდა. ანთროპოგენში დაიწყო გამყინვარ ფლორამ ნეოგენურ პერიოდში თითქ თანამედროვე ხასიათი მიიღო. კ. ე-ის ს საწყისისათვის ამოწყდა ქვეწარმავალ ზოგიერთი ჯგუფი და განვითარება დ წყო ხერხემლიანთა უმაღლესმა კლასმ ძუძუმწოვრებმა, აგრეთვე ძვლიანმა თ ზებმა, ფრინველებმა. ანთროპოგენში ოდ სამყარომ განვითარების უმაღლეს დონ მიაღწია — გაჩნდა ადამიანი.

კ. ჯ-ში სასარგებლო წიაღისეული უმნიშვნელოვანესია ნავთობი და ა აგრეთვე მურა ნახშირი, მანგანუმი, ქვ რილი, კალიუმის მარილი, ბოქსიტ ფოსფორიტები, საშენი მასალები და ს

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიუ გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ნ. სალუქვა

ІАІНОТІПУРІ ქანები (<ბერძნ. kainos— ხალი და typos — სახე), მაგმური ქანები, ;-ებსაც მიუხედავად ასაკისა, შენარჩუნე-ული აქვს სისაღე. კ. ძ-ს უპირისპირდება *ალეოტიპური ქანები*, რ-ებიც გარდაქმნის ამო „ძველ" ქანებს წააგავანან. ეს ტერმი-ები გეოლ. ლიტ-რაში XIX ს. II ნახევარ-ი შემოვიდა და შეცვალა მანამდე არსებუ-ი მცდარი აზრი, თითქოს კ. ძ. აუცილებ-ად ახალგაზრდა ქანები უნდა იყოს, ხო-ი გარდაქმნილი (პალეოტიპური) — ძვე-ი.

ІАІНЦІ (Kainz) იოზეფ (2. I. 1858, ვი-ელბურგი, ახლანდ. მოშონმადიაროვარი, ნგრეთი, — 20. IX. 1910, ვენა), ავსტრი-ელი მსახიობი. პროფ. სცენაზე გამოდიოდა 875-იდან. 1883—89 და 1892—99 მოღვა-ეობდა „გერმანულ თეატრში" (ბერლი-ი). 1899—1910 იყო „ბურგთეატერის" ვენა) მსახიობი. სახელი გაითქვა ფ. ში-ერის პიესებში ახალგაზრდა გმირების ოლების შესრულებით: ფერდინანდი („ვე-ავობა და სიყვარული"), დონ კარლოსი „დონ კარლოსი"). სხვა როლებიდან აღ-ანიშნავია ჰამლეტი, რომეო („შექსპირის ჰამლეტი", „რომეო და ჯულიეტა"), ისვალდი (იბსენის „მოჩვენებანი") და ;ვ. წარმატებით გამოდიოდა კომედიურ ა სატირულ როლებშიც (ტარტიუფი — ოლიერის „ტარტიუფი"). გასტროლებზე ყო აშშ-ში, დანიაში, რუსეთში.

ІАІРА (Uria), ფრინველთა გვარი *მეჭვა-ასნაირთა* რიგისა. გვარში გაერთიანე-ულია ჩრდ. ნახევარსფეროს პოლარულ ა ზომიერ ზღვებში გავრცელებული საკ-ოდ დიდტანიანი ფრინველები. კ-ს კო-ონიები ბუდობენ ზღვების სანაპიროთა ღდოვან ტერიტორიებსა და კ-ებზე, სამ-ითა თოლიასთან ერთად შეადგენენ *ფრინველთა ბაზრების*" ძირითად მოსახ-ეობას. სსრკ-ში გვხვდება კ-ის 2 სახეო-ბ: გრძელნისკარტა (U. aalge) და მოკ-ენისკარტა (U. lomvia), რ-ებიც ხში-ად ერთად ბუდობენ. შეუძლიათ ყვინთ-, 10 *მ* სიღრმეზე. კ-ს და მის კვერცხს ;ამიანი საკვებად იყენებს.

ІІРО, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ;ედაქალაქი, ქვეყნის პოლიტ., ეკონ. და ;ლტ. ცენტრი. გაშენებულია მდ. ნილო-ს დელტის სამხრ-ით, უმთავრესად მდი-რის მარჯვ. ნაპირსა და კ-ებზე ზამა-იქსა (გეზირა) და რაუდაზე. ჰავა ტრო-კულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 12°C, ივ-ისისა 27°C. ნალექები დაახლ. 34 *მმ* ლიწადში. აპრილ-მაისში ქრის ცხელი რალი ქარი—ხამსინი. კ. აფრ. უდიდესი ლაქია. 6,1 მლნ. მცხ. (1978; 1907 წ.— 8 ათ., 1927 წ.—1,1 მლნ., 1947 წ.—2.1 ;ნ., 1960 წ.—3,3 მლნ.).

ქალაქის მმართველობა. კ. ადმ.-ტერი-ორიულად გათანაბრებულია მუჰაფაზას-ნ — საგუბერნატოროსთან. ქალაქს მარ-ავს მუჰაფაზი — გუბერნატორი (ნიშნავს ვიპტის არაბთა რესპ. პრეზიდენტი) და ;. საბჭო.

ისტორიული ცნობა. კ. დააარსეს ფა-*ტიმიდებმა* 969 ძვ. ეგვ. ქ. მემფისიდან და-ლ. 30 *კმ* მოშორებით და „მისრ ალ-კა-რა" („ეგვიპტე ძლევამოსილი") უწოდეს. ;დან მომდინარეობს კ-ს არაბ. სახელწ. -კაჰირა. კ-მ თანდათან შემოიერთა არ-ბის მიერ ამ რ-ნში აშენებული ქალაქ-ბაგრეები ფუსტატი, კატაი და სხვ. 973—71 კ. ფატიმიდების სახალიფოს დედაქა-ქი იყო. აიუბიდების (1171—1250) და ;ლუქების (1250—1517) დროს კ. დიდი ;ჭრო და სახელოსნო ცენტრი გახდა. 17 დაიპყრეს ოსმალებმა. 1798—1801 . ექსპედიციის დროს საფრ. ჯარებმა ;კავეს. ქალაქის მოსახლ. გამუდმებუ-დ ებრძოდა ფრანგ დამპყრობლებს 98, 1800 აჯანყებები). XIX ს-ში კ-ში ნდა ახალი რ-ნები, საწარმოები, და-ადა სასწ. დაწესებულებები, პირველი . სტამბა და ა. შ. 1882 კ. დაიკავეს ინგლ. ;ებმა, 1914—22 იყო ბრიტ. პროტექ-ტორატის ცენტრი. 1922-იდან — ეგვ. სა-მეფოს დედაქალაქი. 1953—58 კ. ეგვიპტის რესპ., 1958—71 — არაბთა გაერთ. რესპ., 1971-იდან ეგვ. არაბთა რესპ. დედაქა-ლაქია.

ეკონომიკა. კ. საერთაშ. მიმოსვლის დიდი კვანძი, ეგვიპტის სატრანზიტო სა-ავტ., სარკინიგზო და სამდ. გადაზიდვე-ბის ცენტრია. არის აეროპორტები. კ-სა და მის გარეუბნებში თავმოყრილია ქვეყ-ნის სამრეწვ. წარმოების დაახლ. 1/4. მან-ქანათსაშ., ლითონდასამუშ., საფეიქრო, ქიმ., კვების, ცემენტისა და პოლიგრ. მრეწვ. საწარმოები. საწარმოთა ნაწილი აშენდა სოციალ. ქვეყნების (უმთავრესად სსრკ, ჩეხოსლ. სრ, გდრ) დახმარებით. არის სამხატვრო სახელოსნოები. თესი. კ. დიდი საფინანსო და სავაჭრო ცენტრია.

არქიტექტურა. ქალაქი მკვეთრად იყო-ფა ძვ. და ახ. ნაწილებად. ხუროთმოძღვ-რულ ძეგლთაგან აღსანიშნავია რომისა (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. IV ს.) და ბიზანტიის (IV—VII სს.) დროინდელი ნაგებობანი. ადრინდ. არაბული ძეგლებია ამ იბნ ალ-ასის მეჩეთი (641—642, გადაკეთებულია IX ს.) ფუსტატში, იბნ ტულუნის მეჩეთი (876—879) და სხვ.; ფატიმიდების ხანიდან შემორჩენილია ქალაქის ქვის კედლები კარებით (XI ს.), ალ-აზჰარის (970—972, გადაკეთებულია მრავალჯერ), ალ-ჰაქი-მის (990—1013) და სხვ. მეჩეთები, აგრე-თვე მავზოლეუმები; აიუბიდების დინას-ტიის პერიოდის სალაჰ ალ-დინის ციტადე-ლი (1176—83), სულთან კალაუნის ხუ-როთმოძღვრული კომპლექსი (1284—85), მამლუქებისა (XV ს. — XVI ს. დასაწყ.) და სხვ. მავზოლეუმები; ოსმალთა იმპერი-ის ხანიდან — სინან-ფაშას (1571) და მუ-ჰამად ალის (1830—48, არქიტ. იუსუფ ბო-ხნა) მეჩეთები, XVI—XVIII სს. სახლები. ქალაქის ახ. რ-ნები დაგეგმარებულია სწორი და ფართო პროსპექტებით, მოედ-ნებით, ბულვარებით. განაშენიანებულია XIX ს. II ნახ. და XX ს. მრავალსართულია-ნი სახლებითა და ადმ. შენობებით. 1955 გენ. გეგმის მიხედვით მიმდინარეობს კ-ს რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

სასწავლო, სამეცნიერო და კულტურუ-ლი დაწესებულებები. კ-ში არის აკადე-მია, ეგვიპტის ინ-ტი, კაიროს, აინ-შამსის, ალ-აზჰარის უნ-ტები და სხვა უმაღლესი სასწ. და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებები. 10 მუზეუმი, მ. შ. ეგვიპტის, კოპტების, ისლამის ხელოვნ., თანამედროვე ხელოვნ. და სხვ.; ყველაზე დიდია ეროვნ. ბ-კა (1 მლნ-მდე დაცვითი ერთეული). არის თეა-ტრები და თეატრ. დასები: „ალ-ჯუმჰუ-რია", „ალ-ეზბეკია", „26 ივლისის თეა-ტრი", კომედიის, ოპერის, თოჯინებისა და სხვ.

КАІРОს КОНФЕРЕНЦІА 1943, ჩატარდა კაიროში 22—26 ნოემბერს. მონაწილეობ-დნენ აშშ-ის პრეზიდენტი ფ. რუზველტი, დიდი ბრიტ. პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩი-ლი და ჩინ. გომინდანური მთავრობის მე-თაური ჩან კაი-ში, ასევე მათი სამხ. და პოლიტ. მრჩევლები. კონფერენციაზე მი-ღეს დეკლარაცია. იგი გამოქვეყნდა 1943 წ. 1 დეკ., მას შემდეგ, რაც *თეირანის კონ-ფერენციაზე* (1943) მას გაეცნო საბჭ. მთავრობა. დეკლარაციაში აშშ, დიდი ბრი-ტანეთი და ჩინეთი აცხადებდნენ, რომ მიზ-ნად არ ისახავდნენ დაპყრობით ომსა და ტერიტ. ექსპანსიას. მათი სურვილი იყო ჩამოერთმიათ იაპონიისათვის ყველა მი-ტაცებული ტერიტორია (მ. შ. I მსოფლიო ომის დროს დაპყრობილი წყნარი ოკ. კ-ები). ასევე იაპონიის მიერ ჩინეთისათვის წართმეული მიწები — მანჯურია, ფორ-მოზა, პესკადორის კ-ები (ჩრდ.-აღმ. ჩი-ნეთი, კ. ტაივანი და პენხულედაოს კ-ები) ჩინ. რესპუბლიკას უნდა დაბრუნებოდა. დეკლარაცია ითვალისწინებდა აგრეთვე კორეისათვის თავისუფლებისა და დამოუ-კიდებლობის მინიჭებას, თუმცა ამ ღონის-ძიების განხორციელების ზუსტი ვადა არ იყო განსაზღვრული. კ. კ-ზე განიხილეს წყნარ ოკეანეში საომარი ოპერაციების ჩა-ტარების პერსპექტივები. აღნიშნული საკი-თხის განხილვისას თავი იჩინა წინააღმდე-გობამ უმთავრესად აშშ-ისა და დიდი ბრიტ. დელეგაციებს შორის. იაპ. კაპიტულაციის (1945 წ. 2 სექტ.) შემდეგ ინგლისმა კვლავ შეიყვანა თავისი ჯარები სიანგანში (ჰონ-კონგი). 1950 აშშ-მა დაიწყო აგრესიული ომი კორ. სდრ-ის წინააღმდეგ, იმავე წელს ფაქტობრივად ჩინ. სრ-ის კუთვნილი კ. ტაივანი და პენხულედაოს კ-ები ოკუპირე-ბულ იქნა აშშ-ის მიერ. ეს ფაქტი კ. კ-ის გადაწყვეტილებათა უხეშ დარღვევას ნიშ-ნავდა.

ი. კაინცი ჰამლეტის როლში (უ. შექსპირის „ჰამლეტი").

КАІРУАНІ, ქალაქი აღმ. ტუნისში, კაი-რუანის პროვ. ადმ. ცენტრი. 54 ათ. მცხ. (1969). რკინიგზის სადგური, საავტ. გზე-ბის კვანძი. ქვეყნის მნიშვნელოვანი ისტ. და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. ხალიჩე-ბისა და ტყავის ნაწარმის შინამრეწველური დამზადება. კვების მრეწვ. საწარმოები.

კ. დაარსდა 670. ქალაქი გაიზარდა და განვითარდა განსაკუთრებით *აღლაბიდე-ბის* გამგებლობის დროს (800—909). 921 *ფატიმიდებმა* დედაქალაქი კ-იდან მაჰ-დიაში გადაიტანეს, რამაც საგრძნობლად დასცა მისი პოლიტ. მნიშვნელობა. XI ს-ში კ. დაარბიეს ბედუინებმა. XIII ს-ში აღადგინეს ჰაფსიდებმა. 1701 დაანგრიეს ოსმალებმა. 1881 დაიკავეს ფრანგმა კო-ლონიზატორებმა. 1956-იდან შედის ტუ-ნისის რესპუბლიკაში. არის მაღრიბის მუს-ლიმანთა სალოცავი ადგილი.

კ-ში შემონახულია მავრული არ-ქიტ. ერთ-ერთი უდიდესი ძეგლი — დიდი მეჩეთი (სიდი-ოკბა; საფუძველი ჩაეყარა 670; ხელმეორედ ააგეს 836, გადააკეთეს და გაადიდეს 863, XIII ს., XIV ს., XVII ს. და უფრო გვიან), რ-საც აქვს მრავალ-სვეტიანი დარბაზი, თაღნარით გარშე-მორტყმული ეზო და მინარეთი; „სამი კა-რის მეჩეთი" (866); ისლამის ხელოვნე-ბის მუზეუმი.

გრძელნისკარტა კაირები.

КАІСЕРІ (Kayseri), კესარეა, ქა-ლაქი ცენტრალურ თურქეთში, კაისერის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 207 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. საავტ. გზე-ბის კვანძი. მნიშვნელოვანი სამრეწვ. და სავაჭრო ცენტრი. თურქ. უდიდესი ბამბუ-ლის კომბინატი (აიგო 1934—35 სსრკ-ის ეკონ. და ტექ. დახმარებით). საფქვავი, შაქრის, სახორცე-სარძეო, ხის დასამუშ. მრეწველობა. ავიასაამწყობო ქ-ნა. ქვეყნის მეხალიჩეობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი.

КАІТЕЛІ (Keitel) ვილჰელმ (22. IX. 1882, ჰელმშეროდე,—16. X. 1946, ნიურნ-ბერგი), გერმანელი ფაშისტი გენერალ-ფელდმარშალი (1940). I მსოფლიო ომის (1914—18) მონაწილე. 1934 ფაშისტებს დაუახლოვდა. 1935—38 იყო სამხ. სამინის-ტროს სამხ.-პოლიტ. განყ-ბის უფროსი, 1938 წ. 4 თებ. — 1945 წ. 8 მაისი — შეია-რაღებული ძალების უმაღლესი მთავარ-სარდლობის შტაბის უფროსი. უშუალოდ მონაწილეობდა ფაშისტური გერმ. აგრე-სიული გეგმების შემუშავებასა და განხორ-ციელებაში. ხელი მოაწერა დირექტივებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხ. ტყვე-ებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მოს-

კაირო. ოპერის მოედანი.



კაიფინი. პაგოდა ტეტა („რკინის პაგოდა"). 1041.

ა. კ ა კ ა ბ ა ძ ე. „ქართველი ქალი", 1975. თანამედროვე კერამიკის მუზეუმი. ბეხინე (ჩეხოსლოვაკია).

დ. კ ა კ ა ბ ა ძ ე.

დ. კ ა კ ა ბ ა ძ ე. „ფურბლების გამყიდველი". 1921.

ე. კ ა კ ა ბ ა ძ ე. მ. ჯაფარიძის პორტრეტი. მარმარილო. 1953. საქართვ. სურათების გალერეა. თბილისი.

პობის შესახებ. 1945 წ. 8 მაისს ხელი მოაწერა ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. 1946 როგორც ერთ-ერთი მთავარი სამხ. დამნაშავე გაასასარეთლეს ნიურნბერგში და ჩამოახრჩვეს.

კაიუტა (ჰოლანდ. Kajuit), გემის ეკიპაჟისა და მგზავრების საცხოვრებელი სადგომი გემზე. თანამედროვე გემის კ-ები არის 1—2-ადგილიანი (ეკიპაჟისათვის) და 1—4-ადგილიანი (მგზავრებისათვის). კ. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სადგომისაგან (მაგ., კაბინეტისაგან, საწოლისა და საბაზანოსაგან).

კაიუტ-კომპანია (*კაიუტა* და ფრანგ. compagnie — საზოგადოება). გემის მეთაურთა შემადგენლობისათვის განკუთვნილი საერთო დარბაზი. კ.-კ-ში მეთაურთა შემადგენლობა იკრიბება სადილისათვის, კრებების ჩასატარებლად, დასასვენებლად.

კაიფინი, ქალაქი აღმ. ჩინეთში, ხუნანის პროვინციაში, ჩინ. დიდ ვაკეზე, მდ. ხუანხეს სამხრ. ნაპირის მახლობლად. 400 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. მანქანათსაშ., ქიმ., საფეიქრო, კვების მრეწველობა. მრავალი უმაღლესი სასწავლებელი. ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. 960—1127 — სახელმწიფოს დედაქალაქი. არქიტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია 13-იარუსიანი პაგოდა ტეტა („რკინის პაგოდა", 1041).

კაიშაურნი, სოფელი დუშეთის რ-ნში (ქვეშეთის სოფსაბჭო), მთიულეთის არაგვის მარცხ. მხარეს, დიდველის ზეგანზე. ზ. დ. 1790 *მ*, დუშეთიდან 75 *კმ*. მლეთის კოლ-ბა (მეცხვარეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი.

„კაიწ" („ნაპერწკალი"), პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი სომხ. ენაზე. გამოდიოდა თბილისში 1906 წ. 1 (14) აპრილიდან 6 (19) აგვ. ჩათვლით. გამოვიდა 47 ნომერი. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს, აგრეთვე თუ როგორ ეხმაურებოდნენ აღმ. ქვეყნები რუსეთის 1905—07 რევოლუციას, აქვეყნებდა ცნობებს პარტ. ორგანიზაციების საქმიანობაზე და სხვ. გაზეთის გამოშვებას ხელმძღვანელობდნენ ს. შაუმიანი, ს. სპანდარიანი, ს. კასიანი. „კ." აკრძალა მეფის ხელისუფლებამ. *ვ. ჟვანია.*

კაიფონი, ციხესიმაგრე საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სამხრ.-აღმ. მხარეს. ვარაუდით, მდებარეობდა მდ. ინჯასუს ხეობის ზემო წელზე (სომხ. სსრ), ახლანდ. სოფ. კოხბთან (ისტ. კოლბი). სომხ. წყაროების მიხედვით, კ. აგებულია X ს. II ნახევარში, კაენისა და ბიჯნისის ციხეებთან ერთად, მაგრამ არის მოსაზრება, რომ კ. უფრო ადრინდ. ხანისა უნდა იყოს. XI ს. დასაწყისში კვირიკიანი ბაგრატუნების სამფლობელო იყო, XI ს. შუა წლებში ბიზანტიას გადაეცა, XII ს-იდან საქართვ. სამეფოს ფარგლებში მოექცა.

დ. მუსხელიშვილი.

კაკაბაური, სოფელი თერჯოლის რ-ნში (თუზის სოფსაბჭო), მთა წიფორის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 540 *მ*, თერჯოლიდან 24 *კმ*. თუზის ა. წერეთლის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა სოფ. თუზში (3 *კმ*).

კაკაბაძე ალდე გრიგოლის ასული (დ. 18. X. 1932, თბილისი), ქართველი საბჭ. მხატვარ-კერამიკოსი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1976). 1957 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია, 1964-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა იქვე. კ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. ოსტატობა, მასალის, კოლორიტის, პროპორციების ფაქიზი შეგრძნება, მკაფიოდ გამოსახული ეროვნულობა, პოეტურობა. ნამუშევრები: „საქორწილო დოქი" (1966, სსრკ მხატვართა კავშირი), „ხევსური ქალის პორტრეტი" (1977, საქართვ. სურათების გალერეა), „ჩიტებიანი დოქი"(1973, სსრკ მხატვართა კავშირი) და სხვ.

კაკაბაძე დავით ნესტორის ძე [8 (20). VIII. 1889, სოფ. კუხი, ახლანდ. წულუკიძის რ-ნი, — 10. V. 1952, თბილისი], ქართველი საბჭ. ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950). კ. მოწაფეობის წლებიდან ბეჭდავდა ნახატებს ქართ. პერიოდულ პრესაში. 1916 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. იმავე დროს, 1915-მდე, მეცადინეობდა მხატვარ ლ. დიმიტრიევ-კავკასუსის სახელოსნოში; გაეცნო რუს. და დასავლეთევროპული მხატვრობის უახლეს მიმდინარეობებს და დაჯგუფებებს. სტუდენტობის წლებში დაიწყო ძვ. ქართ. ხელოვნების კვლევა. პეტერბურგში კ. 1918-მდე დარჩა. ამ პერიოდს მიეკუთვნება ფინეთსა და საქართველოში ნატურიდან დახატული პეიზაჟები, 3 ავტოპორტრეტი („ავტოპორტრეტი სარკესთან", 1913, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი; „ავტოპორტრეტი ბროწეულით", 1913; „ავტოპორტრეტი რუხ ხალათში", 1917 — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება), დედის პორტრეტი, 1914 და ძმის პორტრეტი, 1915 (ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება). რეალისტურ ნამუშევრებთან ერთად კ-მ შექმნა კუბისტური ხასიათის სურათებიც („დასაფლავება იმერეთში", 1913; „ავტოპორტრეტი" 1913 — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება), 1918—19 კ-მ საქართველოში გაატარა. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვრის, შემოქმედებითი სახე. კ-მ შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები. ადრინდ. პეიზაჟებისაგან განსხვავებით, ისინი ბუნების უშუალო ასახვას კი არ წარმოადგენენ, არამედ მკაფიოდ გამოკვეთილი პრინციპების თანახმად აგებულ სურათებს, რ-ებშიც მოცემულია იმერეთის ბუნების განზოგადებული სახე; კომპოზიციას ახასიათებს ნათელი, კლასიკური ტექტონიკურობა („პეიზაჟი წითელი გზით", „პეიზაჟი ციხითა და მდინარით", 1918, ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება). 1918 კ-მ შექმნა სურათი „იმერეთი — დედაჩემი", სადაც მხატვრისთვის ჩვეული იმერეთის პეიზაჟის ფონზე გამოსახულია მოხუცი ქალის ალეგორიული ფიგურა. ამავე წელს შექმნა ლაკონიური და გრაფიკულად მკაფიო „იმერული ნატიურმორტი" (ორივე საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი); ამავე პერიოდს განეკუთვნება ძვ. თბილისის ამსახველი ნახატები და წაღვერის სერია (მხატვრის ოჯახისა და დას. ევროპის სხვადასხვა მუზეუმის კუთვნილება). 1919—27 კ. პარიზში ცხოვრობდა, მონაწილეობდა „დამოუკიდებელ მხატვართა საზოგადოების" ყოველწლიურ გამოფენებში, სხვა ქართვ. მხატვრებთან ერთად აწყობდა გამოფენებს (მოაწყო თავისი სურათების გამოფენა ამერიკაში); კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე (მიღებული აქვს ევრ. მრავალი ქვეყნის პატენტი), აქვეყნებდა თეორ. ნაშრომებს (ქართ. და ფრანგ. ენებზე). კ-ის ამ პერიოდის შემოქმედებაში აისახა ორი მიმართულება: ერთი მხრივ, მხატვარი ქმნიდა რეალისტურ, საგნობრივი სამყაროს მიერ შთაგონებულ სურათებს (პარიზის ჩანახატების სერია, აკვარელების სერია „ბრეტანი" — საქართვ. ხელოვნ. მუზეუმისა და მხატვრის ოჯახის კუთვნილება; „ფურბლების გამყიდველი", „ბანანების გამყიდველი" — ადგილსამყოფელი უცნობია), მეორე მხრივ — უსაგნო სურათებს და კოლაჟებს (ცალკეული სერიები ინახება მხატვრის ოჯახში და საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში). 1927 კ-მ შექმნა ალეგორიული სურათი „ინდუსტრია". საქართველოში დაბრუნების შემდეგ კ. მარჯანიშვილის მიწვევით კ-მ მუშაობა დაიწყო თეატრ.-დეკორაციული ხელოვნების დარგში. გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი (ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!", 1928; პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", 1929; შ. დადიანის „ნინოშვილის გურია", 1932; დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", 1937; პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", 1946—ყველა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი; ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი", 1947, რუსთაველის სახ. თეატრი; პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი", 1947,—თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრი და სხვ.), აგრეთვე კინოფილმები („მარილი სვანეთს", რეჟ. მ.კალატოზიშვილი, 1930; „დაკარგული სამოთხე", რეჟ. დ. ... რონდელი, 1936 და სხვ.). კ-ის მიერ შესრულებული დეკორაციები გამოირჩევა ფუნქციური მიზანშეწონილობით, სტილის ლრმა გრძნობით. ამავე პერიოდში კ. აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი და გრაფიკოსი. იგი კვლავ დაუბრუნდა იმერული პეიზაჟის თემას, შექმნა ინდუსტრიული პეიზაჟები („რიონჰესი", 1934, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი და სხვ.). ამ სურათების კომპოზიციური აგებულება და დეკორატიულობა ძველებურია, მაგრამ ციხის ნანგრევებს ცვლის ახ. ცხოვრების ნიშნები — ელექტროსადგური, მშრომელთა მანიფესტაცია; უფრო ცხოველი და ხალისიანია კ. ... ლორიტი („ყვითელი მთა", 1937; „წითელი მთა", 1944 — ორივე მხატვრის ოჯახის კუთვნილება; „მიტინგი იმერეთში" 1942, საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი). 1930—40-იან წწ. მიეკუთვნება კიდევ რამდენიმე სერია („სვანეთი", 1939; „თბილისი ... მისი მიდამოები", 1944 — ყველა მხატვრის ოჯახის კუთვნილება). 1940—50-იანი წწ. მნიშვნელოვანი სურათებია: „ყაზბეგი" „ფოთი-ელევატორი" (1949, ორივე ... ქართვ. ხელოვნ. მუზეუმი), „სვანეთი. ... მადნის დამუშავება"(1949, მხატვრის ოჯახის კუთვნილება) და სხვ. 1928—48 კ. ... თბილ. სამხატვრო აკადემიის პროფესორ (1933—42 — პრორექტორი).

კ. ახ. ქართ. ხელოვნების ერთ-ერთ ... ყველაზე დიდი წარმომადგენელია. მ... სურათები დიდი კომპოზიციური ოსტატ... ბისა და გადმოცემის სისხარტის გარდა ... მოირჩევა განსაკუთრებული ფერადოვ... სიფაქიზითა და დახვეწილობით; რაც... ნალურობასთან ერთად მათ ახასიათ... მაღალი პოეტურობა. კ-მ პირველმა შ... ნა ქართ. ბუნების განზოგადებული ... პეიზაჟი-სურათი; დიდი მხატვრული ... სებებით გამოირჩევა ადრინდ. პერიოდ... შექმნილი პორტრეტები. კ. არის ქარ... თეატრ.-დეკორაციული ხელოვნების ... ერთი ფუძემდებელი. იგი იყო მკაფ... ჩამოყალიბებული შეხედულებების მქ... მოაზროვნე მხატვარი, რ-იც ყოველთვ... ლრმად გააზრებულად, ლაკონიური საშ... ლებებით ასხამდა ხორცს თავის მხატ... რულ ჩანაფიქრს.

ლიტ.: ბ ერ ი ძ ე ვ. დავით კაკაბაძე. «... ბჭოთა ხელოვნება», 1979 №№ 11,12; დავ... კაკაბაძე. [ალბომი], შესავალი წერილი ლ. ... ულიშვილისა, თბ., 1966; А л и б е г а ш ... л и Г., Давид Какабадзе, Тб., 1958; Н... р и д з е В., Е з е р с к а я Н., Искус... тво Советской Грузии. 1921—1970, М., 197...

ვ. ბერიძ...

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ. 400, 401.

კაკაბაძე ეთერ სილოვანის ასული (... 17. X. 1926, თბილისი), ქართველი საბ... მოქანდაკე. საქ. სსრ დამს. მხატვა... (1967). კ-ის შემოქმედებისათვის დამა... სიათებელია პლასტ. სიცხადე, ფორ... გამომსახველობა, მასალის კარგი გრძ... ბა. ნამუშევრები: მ. ჯაფარიძის პორტ... ტი (მარმარილო, 1953), „ბიჭის პორტ... ტი" (მარმარილო, 1953), „ნანა" (ტ... კოტა, 1956), „დემობილიზებული" (თ... შირი, 1964) და სხვ.

კაკაბაძე ვასილ მიხეილის ძე [7(1... X. 1888, ხონი, — 10. III. 1968, თ... ლისი], ქართველი საბჭ. ქიმიკოსი. ... მეცნ. დოქტორი (1943), პროფესო... (1943), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვ... (1944). 1930-იდან ვ. ი. ლენინის სახ. ს...

ბოლიტექ. ინ-ტის ქიმ. და ქიმ. ტექნოლ. ფაკ-ტის დეკანი, 1944-იდან ამავე ინ-ტის ორგორგ. ნივთიერებათა და ქიმ. სასუქების ტექნოლოგიის კათედრის გამგე. მისი ძირითადი შრომები ეხება ქიმ. ტექნოლ. საკითხებს. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა ტექ. ტერმინოლოგია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კაკაბაძე იოსებ პავლეს ძე [12 (24). II. 1864, სოფ. კუხი, ახლანდ. წულუკიძის რ-ნი, — 3. XII. 1940, თბილისი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. კომპარტიის წევრი 1918-იდან. 90-იან წლებში მუშაობა დაიწყო ზესტაფონში სანგანუმის მრეწველთან, იქვე გაიცნო და დაუახლოვდა ე. ნინოშვილს. 1892 ზესტაფონში კ-ის ბინაზე შედგა მარქსისტულად განწყობილ ინტელიგენტთა კრება, სადაც აფუძველი ჩაეყარა საქართვ. პირველ ს.-დ. ორგანიზაციას, რ-საც 1894 „მესამე დაი" ეწოდა. 1895 კ. გაემგზავრა საზღვარგარეთ, ჟენევაში, შემდეგ პარიზსა და ლონდონში. 1901 დაბრუნდა საქართველოში, მოღვაწეობდა ჭიათურასა და ბათუმში. 1905 რევ. მოღვაწეობისათვის დააპატიმეს. განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა საზღვარგარეთ, მარსელში (საფრანგეთი), სადაც დაუკავშირდა ს.-დ. ორგანიზაციის წევრებს და ხელმძღვანელობდა ჟრძალული ლიტ-რის გამოგზავნას ამიერკავკასიაში. 1906 დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო არალეგალური რევ. მოღვაწეობა. 1919 მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. საქართველოში საბჭ. ელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე. *ზ. გეგეშიძე.*

კაკაბაძე ნოდარ მეთოდეს ძე (დ. 24. I. 1924, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1971). სკკპ წევრი 1953-იდან. ეკუთვნის ნაშრომები ართ.-გერმ. ლიტ. ურთიერთობათა საკითხებზე („კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში", 1963, თანაავტორი ნ. რუხაძე; „საქართველოს რეცეფცია გდრ-ის ლიტერატურაში", 1978; „ფიქრები საქართველოს შესახებ", 1979, რუს. ენაზე); „შოთა რუსთაველი და ვოლფრამ ონ ეშენბახი", 1980, გერმ. ენაზე და სხვ.). ეკუთვნის ჰ. მანისა და თ. მანის შემოქმედებას („ჰაინრიჰ მანის ცხოვრება და შემოქმედება", 1956; „თომას მანი", 1967; „თომას მანი და ნიცშე", 1971, რუს. ენაზე; „თომას მანი და დოსტოევსკი", 1976, ართ., რუს. და გერმ. ენებზე; „თომას მანის რომანების ძირითადი თავისებურება", 1978, გერმ. ენაზე და სხვ.). ეკუთვნის აგრეთვე „ნარკვევები XX ს. გერმანული ლიტერატურიდან" (1964), „პორტრეტები და სილუეტები" (1973) და სხვ. ქართ. ენაზე თარგმნა ა. ზეგერსის, ე. შტრიტმატერის, ფ. კაფკას, ნ. ზაქსის, ი. ბახმანის და სხვ. ნაწარმოებები.

კაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე [23. I. (7. III). 1893, სოფ. კუხი, ახლანდ. წულუკიძის რ-ნი, — 15. X. 1972, თბილისი], ქართველი საბჭ. დრამატურგი. 1911 დაასრულა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. მისი პირველი ნოველა „ბრძენი მოქანდაკე" დაიბეჭდა 1915 ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" (№ 46).

კ-ის პირველი მნიშვნელოვანი დრამ. ნაწარმოებია რევ. ბრძოლის ამსახველი „გზაჯვარედინზე" (1917), რ-იც ქმედებით დაიდგა ბაქოს სცენაზე 1918 წ. ალ. წულუნავა). 1919 კ-ის მიერ დაწერილ ჟურნალში „შვიდი მნათობი" დაბეჭდა მისი პიესები „სისხლი სინათლემდე" (№ 1) და „სამი ასული" (№ 2). 1925 რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე დადგა მისი დრამა „ლისაბონის ტუსაღები" (რეჟ. დ. ანთაძე).

დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს კ-ის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი" (1928), რ-იც ქართ. საბჭ. კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშია. ღრმად შთამბეჭდავია და კლასიკური სრულყოფით გამოირჩევა მმაფრი ისტ. ქარტეხილების ფონზე შემთხვევით ამოტივტივებული გაიძეერა მედროვის ყვარყვარეს მზატვრული სახე. ქართ. ფოლკლორის გმირის ნაცარქექიას ნიღბით აღჭურვილი ყვარყვარე ზოგადსაკაცობრივი ტიპიც არის. პიესა პირველად დადგა კ. მარჯანიშვილმა 1929, ახლებური იყო რ. სტურუას 1974 დადგმა (რუსთაველის სახ. თეატრი). 1938 მარჯანიშვილის სახ. თეატრში დაიდგა კ-ის კომედია „კოლმეურნის ქორწინება" (1937), რ-შიც მეტყველად აისახა ახალი საბჭ. ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი. პიესა დრამატურგის ახ. გამარჯვებად იქცა.

თანამედროეობის, საბჭ. ხალხის მშვიდობიანი შრომის თემას ეძღვნება კ-ის 40—50-იან წლებში შექმნილი პიესები: „შეხვედრა მშენებლობაზე", „ბედნიერი სამჭედლო", „ციცინათელა", „პაექრობა", რ-თა გადამუშავების საფუძველზე დრამატურგმა 1964 ახ. პიესა „ცხოვრების ჯარა" შექმნა. კ-ის ისტ. პიესას (კომედია) „კახაბერის ზმანი" („დავით მერვე", 1954) უნდა ასაზრდოებს ქართ. ფოლკლორული სახეები. პიესა პირველად დაიდგა 1957 ქუთაისში (რეჟ. თ. მალალაშვილი), 1965 კი — თბილისში (მარჯანიშვილის სახ. თეატრი, რეჟ. კ. ლორთქიფანიძე).

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში კ. ინტენსიურად მუშაობდა ისტ. დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა დრამ. პოემები „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი" (1966), „მეფე ბაგრატ მეშვიდე" (1967), ტრაგედია „მეფე დიმიტრი თავდადებული" (1971).

კ-ის პიესები დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობასა და მიმზიდველობას. ამის მიზეზია ეპოქის უმთავრეს პრობლემათა მაღალმხატვრულად წარმოჩენა, თანამედროეობის საჭირბოროტო საკითხებისათვის ზოგადსაკაცობრივი ელერადობის მინიჭება, მკვეთრად ინდივიდ. გმირთა სახეების დიდი ოსტატობით გამოძერწვა და სხვ.

კ-მ სიცოცხლეშივე მოიპოვა თანამედროვე კრიტიკისა და საზოგადოებრიობის დიდი აღიარება. ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე მისი პიესები შეუნელებელი წარმატებით იდგმება ქართ. სცენაზე. მისი „ყვარყვარე თუთაბერის" მიხედვით შექმნილია ფილმი „ყვარყვარე" (1978, რეჟ. დ. აბაშიძე). კ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: პიესები, თბ., 1952; რჩეული თხზულებანი, თბ., 1954; დრამატული თხზულებანი, თბ., 1959; დრამატული პოეზია, ტ. 1—2, თბ., 1971—73; მეფე ბაგრატ მეშვიდე. თბ., 1969; მეფე ვახტანგ პირველი — გორგასალი, თბ., 1967; ცხოვრების ჯარა, თბ., 1969.

ლიტ.: ბ ე ნ ა შ ვ ი ლ ი დ., ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1972; ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე გ., წერილები, თბ., 1974; ი ო ვ ა შ ვ ი ლ ი დ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1974; ც ი ც ი შ ვ ი ლ ი გ., ქართული საბჭოთა დრამატურგია, ნაწ. 1, თბ., 1962; ჯ ი ბ ლ ა ძ ე გ., კრიტიკული ეტიუდები, [ტ.] ნ, თბ., 1974.

კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე [7. X (19. X). 1886, სოფ. კუხი, ახლანდ. წულუკიძის რ-ნი, — 2. IV. 1967, თბილისი], ქართველი საბჭ. ისტორიკოსი და ფილოლოგი, პროფესორი (1949). სწავლობდა ვენის უნ-ტში, დაამთავრა პეტერბ. უნ-ტის აღმოსავლური ენების ფაკ-ტი. 1911—19 კითხულობდა ლექციებს თბილ. ქალთა უმაღლეს კურსებზე, ხოლო შემდეგ, 1952-მდე, საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1918—32 იყო სსრკ მეცნ. აკდ. კავკ. ისტ.-არქეოლ. ინ-ტის თანამშრომელი, 1921—26—საქართვ. ისტ. არქივის გამგე, 1945 — 61 — იმავე არქივის ძვ. აქტების განყ-ბის გამგე. 1924—34 ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს.

გამოქვეყნებული აქვს შრომები საქართვ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის, დამხმარე ისტ. დისციპლინების, ფილოლოგიისა და ტექსტოლოგიის საკითხებზე. შეისწავლა და გამოაქვეყნა მრავალი ისტ. დოკუმენტი. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსანი ვრცელი გამოკვლევებით (1913, 1927), ჩახრუხაძის „თამარიანი" (1937), შავთელის „აბდულმესიანი" (1913, 1937) და „ამირანდარეჯანიანი" (1939). მუშაობდა ეთნოგენეზის, ისტ. გეოგრაფიისა და დემოგრაფიის, ადმ. დაყოფისა და მმართველობის საკითხებზე. იყო *„საისტორიო მოამბის"* (1924—25, 4 წიგნი), *„საისტორიო კრებულის"* (1928—29, 4 წიგნი) რედაქტორი.

თხზ.: ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959; რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1966; საისტორიო ძიებანი, ტფ., 1924; სასისხლო სიგელების შესახებ, ტფ., 1924; საფასის ისტორიისათვის საქართველოში, ტფ., 1925; საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500—1810 წწ.), ტფ., 1922; საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920; ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, წგნ. 1, ტფ., 1924; ძიებანი ქართველთა IV — VII საუკუნეების ისტორიის შესახებ, ტფ., 1928; **Из социально-экономических вопросов средневековой Грузии, Тфл., 1927; Краткий обзор истории Грузии, Сух., 1941; О древнегрузинских летописцах XI столетия, Тфл., 1912; Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в концесредних веков, Тфл., 1912.**

ლიტ.: ტ უ ბ ა შ ვ ი ლ ი ლ., ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1977, № 4. *სურ. კაკაბაძე.*

კაკაბაძე სილოვან იოკიმეს ძე [დ. 31. VII (12. VIII). 1895, ხონი, ახლანდ. წულუკიძე], ქართველი საბჭ. მოქანდაკე. საქ. სსრ სახ. მხატვარი (1967). სკკპ წევრი 1930-იდან. 1930 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. 1932-იდან ასწავლის იქვე (1936—42 რექტორი, 1941-იდან პროფესორი). მუშაობს მონუმ. და დაზგური ქანდაკების დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სკულპტურული პორტრეტები: გ. ტაბიძე (ქვა, 1947, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი); სულხან-საბა ორბელიანი (ქვა, 1947, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), ი. ბერიტაშვილი (ბრინჯაო, 1979, საქართვ. ხელოვნების მუზეუმი), ნ. კალანდარიშვილი (მარმარილო, 1961, საქართვ. სურათების გალერეა); ძეგლები: ა. წულუკიძის (ქვა, 1946, წულუკიძე), კ. ლესელიძის (1977, ბრინჯაო, ლესელიძე) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემია (1947). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

კაკაბაძე-ლუდუშაური მარგალიტა პავლეს ასული (დ. 8. IV. 1916, ხონი, ახლანდ. წულუკიძე), საქ. სსრ დამსახურებული ექიმი (1961), სოციალ. შრომის გმირი (1969). 1939 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი და მას შემდეგ მუშაობს კასპის რ-ნის სოფ. ლამისყანის ამბულატორიის გამგედ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

კაკაბეთი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში, გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჰ., ვერხვიანი). ზ. დ. 700 *მ*, საგარეჯოდან 23 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 2 კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრეობა). საშ. სკოლა, სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბაღი, 2 კლუბი, 2 ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კაკაბი (Alectoris graeca), ფრინველი *ქათმისნაირთა* რიგისა. ფერად მოცისფრო-მონაცრისფრო, თავსა და ფრთებზე მოვარდისფრო ელფერი დაჰკრავს. გვერდებზე გარდიგარდმო მუქი ზოლები დასდევს. მამალი ტანად დედალზე დიდია, ფეხებზე აქვს დეზები. კ-ის სხეულის წონა 350—700 *გ* აღწევს. გავრცელებულია ბალკანეთის მთებიდან ჩრდ. ჩინეთამდე. სსრკ-

პ. კაკაბაძე.

ს. ნ. კაკაბაძე.

ს. ი. კ ა კ ა ბ ა ძ ე. ზ. ტაბიძის პორტრეტი. ქვა 1947. აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

კაკაბი (Alectoris graeca).

კაკადუს სხვადასხვა სახეობა: 1—კაკადუ—ინკა (Kakatoe leadbeateri); 2—ვორნისებრი შავი კაკადუ (Calyptorhynchus magnificus); 3 — ვარდისფერი კაკადუ (Kakatoe rosecapilla); 4 — ყვითელქოჩორა კაკადუ (K. galerita).



კაკალი. ტოტი ნაყოფით.



კაკაოს ხე: ნაყოფები ხეზე; ა—ყვავილის სიგრძივი ჭრილი; ბ—ნაყოფი (მოცილებულია ნაყოფსაფარის ნაწილი).

ში გვხვდება ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, სამხრ. ყაზახეთში, სამხრ. ალთაიში, სამხრ. აღმ. საიანებში. საქართველოში ბინადრობს კავკასიონის სამხრ. კალთებზე, ცივ-გომბორის, გურია-აჭარის და თრიალეთის ქედებზე, ქვაღორღიან, მეჩხერი ბუჩქნარით დაფარული მთების ფერდობებზე — მთისწინებიდან თითქმის თოვლის ხაზამდე. იკვებება მცენარის თესლით, ყლორტებით, კვირტებით და მწერებით. სპორტ. ნადირობის ობიექტია. *რ. ყორდანია.*

კაკადუ (გერმ. Kakadu<მალაიური kakatua) (kakatoeinae), ფრინველების ქვეოჯახი თუთიყუშისნაირთა რიგისა. ტანად საშუალო და დიდი (სხეულის სიგრძე 60—95 *სმ*) ფრინველებია. დამახასიათებელი ნიშანია თავზე ქოჩორი. გავრცელებულია ავსტრალიაში, ახალ გვინეაზე, აღმ. ინდონეზიაში, ფილიპინის კ-ებზე. ცნობილია კ-ს 5 გვარის 17 სახეობა. ბინადრობს ტყეში, მინდვრების ახლოს. იკვებება მცენარის ნაყოფით, თესლით და სხვ. ტიპობრივი გალიის ფრინველია.

კაკალაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (დ. 13. IV. 1920, თბილისი), ქართველი საბჭ. მექანიკოსი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979), სკკპ წევრი 1945-იდან. 1942 დაამთავრა ს. კიროვის სახ. საქ. ინდუსტრ. ინ-ტი. 1946 მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტში (1959-იდან ვ. ი. ლენინის სახ. საქ. პოლიტექ. ინ-ტი), 1958-იდან კვების მრეწვ. საწარმოთა მოწყობილობების კათედრის გამგე, 1961-იდან ხელმძღვანელობს აგრეთვე ჩაის მრეწვ. საბრობლემო ლაბორატორიას. კ-ის სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა გაანგარიშებისა და კონსტრუირების საკითხები კვების მრეწვ. მანქანათმშენებლობაში. კ-ის გამოგონებებზე პატენტები გაცემულია ინგლისში, იაპონიაში, ინდოეთში, შრი ლანკაში.

თხზ.: კვების მრეწველობის საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობების გაანგარიშებისა და კონსტრუირების საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1972; Теоретические и экспериментальные основы расчета конструирования роллеров, Тб., 1971.

კაკალი (nux), ერთთესლიანი მშრალი თვითუხსნელი ნაყოფი, რ-ის ნაყოფსაფარი მეტნაკლებად გახეევებულია (მაგ., თხილი). კ-ს ხშირად უმართებულოდ ეძახიან ზოგი ფიჭვის თესლს („კედრის კაკალი"), ჩვეულებრივი კაკლის და ქოქოსის პალმის კურკიანას („ქოქოსის კაკალი").

კაკალი, ნიგვზის ხე (Juglans regia), ფოთოლმცვივანი ხე კაკლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 20 — 30 *მ* აღწევს, დიამეტრი 1,5 *მ*. ეულად მდგომს ვარჯი ფართოდ აქვს გადაშლილი, კორომში კი ვიწროდ არის აზიდული. აქვს ლეგა, დაშაშრული ქერქი, ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები, კენტფრთართული, პრიალა ფოთოლი, რ-იც ეთეროვან ზეთს შეიცავს. ნაყოფი კურკიანაა (ე. წ. „კაკალი"). ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, ბალკ. ნ.-კ-ზე, ირანში, ჩინეთში, სსრკ-ში — კავკასიასა და შუა აზიაში. ამიერკავკასიაში ველურად იზრდება თითქმის ყველგან, ქმნის მცირე კორომებს, მეტწილად კი ერთეული ხეებია; მდინარისპირა ვაკეთა ტყეებში შერეულია მუხასთან, თელასა და რცხილასთან. საქართველოში ველური კ-ის ყველაზე დიდი კორომია მდ. ალაზნის ნაპირებზე — პანკისის ხეობაში (10 *ჰა*) და ჯუმას ყურეში (ალაზნის ველის ჭალაში, 40 *ჰა*). კ. სინათლისა და სითბოს მოყვარულია. მაღალ მთებში (1500 *მ*-ზე ზევით) სიცივე აზიანებს, უძლებს 20—22°C-მდე ყინვას. საკმაოდ გვალვაგამძლეა. ვერ ეგუება ჭარბტენიან და ეწერ ნიადაგს. კარგად ხარობს ნოყიერ ნიადაგზე, თიხნარ-კირნარზე. ყვავილობს ფოთლის გაშლასთან ერთად. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტ-ში. ნაყოფმსხმოიარეა 12 წლიდან 200 წლამდე; მოსავლიანი ხე — 100—200 *კგ* ნაყოფს იძლევა. მძლავრი ფესვთა სისტემა აქვს. მისი მერქანი (მეტადრე ნუჟრები) ძვირფასი საალეჯო მასალაა. კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45—77%), ცილებს (8—21%), B_1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მკვახე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მისგან მურაბას ამზადებენ. მწიფე კაკლის გულისაგან — ნიგვზისაგან — ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტრო წარმოებაში. წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში. კ. კარგი საჩრდილობელი ხეა.

ვ. მირზაშვილი.

კაკაო, შოკოლადის ხე (Theobroma cacao), ტანდაბალი (5—8 *მ*) მარადმწვანე ხე სტერკულიასებრთა ოჯახისა. აქვს მუქი მწვანე, პრიალა ფოთლები და ყვითელი ან მოწითალო ყვავილები. ნაყოფი (კოლოფა) ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელია, მისი სიგრძეა 30 *სმ*, სიგანე — 10—12 *სმ*, 300—600 *გ* იწონის და 25—60 თესლს შეიცავს. ყოფაცხოვრებაში „კაკაოს პარკს" უწოდებენ. ველურად იზრდება ცენტრ. და სამხრ. ამერიკის ტენიან ტროპ. ტყეებში. ძველთაგანვე კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. ამრავლებენ უმთავრესად თესლით. კარგად ხარობს ორანჟერეებში. თეობრომინისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის გამო თესლს მწარე, მწკლარტე გემო აქვს. საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად რბილობმოცლილ თესლს 2—7 დღე-ღამის განმავლობაში უტარებენ ფერმენტაციას, რის შედეგადაც იგი სასიამოვნო გემოსა და არომატს იძენს. კ-ს თესლის შედგენილობაა (მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით %-ში): წყალი 4—6; ცხიმი, კაკაოს ზეთი 51—54; სახამებელი 7—10; გლუკოზა, ფრუქტოზა 1—2; ცილა 10—12; თეობრომინი, კოფეინი 1—1,5; მთრიმლავი ნივთიერებები 4—7; მჟავები 1—2; მინერ. ნივთიერებები 2—3. კ-ს ნაყოფისაგან ღებულობენ ბურღულს, ბურღულის წვრილად დაქუცმაცებით—„სრესილ კ-ს", რ-ისგანაც კ-ს ზეთსა და შოკოლადს ამზადებენ. სრესილი კ-ს დაწნეხით ღებულობენ კ-ს ზეთს, დარჩენილი კოპტონისაგან კი — კ-ს ფხვნილს.

კაკაოს ცხიმი, ბაცი ყვითელი ცხიმოვანი ნივთიერება, აქვს კაკაოს სუსტი არომატი. იღებენ კაკაოს ხის ნაყოფისაგან (იხ. *თეობრომინი*), რ-იც 50%-მდე კ. ც-ს შეიცავს. კ. ც. ლღვება 30—34°C ტემპერაზე. იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში (იხ. *შოკოლადი*), აგრეთვე სამკურნ. სანთლების, ბურთულების, მალამოს, პომადისა და სხვ. დასამზადებლად.

კაკასხიდი, სოფელი მაიაკოვსკის რ-ნში (ხანის სოფსაბჭო), მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 850 *მ*, მაიაკოვსკიდან 18 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ*. მაიაკოვსკის კოლ-ბა (მევენახეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ხანში (6 *კმ*). საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კაკაჩა (Buteo), მტაცებელ ფრინველთა გვარი *შავარდნისნაირთა* რიგისა. ცნობილია 25 სახეობა, გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, მადაგასკარზე, ჰავაის კ-ებზე, ამერიკაში. სსრკ-ში გვხვდება 4 სახეობა; საქართველოში ბინადრობს ჩვეულებრივი კ. (B. buteo), ხოლო ზამთარში შემომფრენია ფეხბანჯგვლიანი კ. (B. lagopus). კ-ის სხეულის სიგრძე 46—57 *სმ* აღწევს, ფრთების შლილი 110—130 *სმ*. დედალი ტანად მამალზე დიდია. იკვებებიან თაგვისებრი მღრღნელებით, პატარა-პატარა ფრინველებით და სხვ. საქართველოში ჩვეულებრივი კ-ის 2 ქვესახეობა გვხვდება: ქარცი კ. (B. b. vulpinus), რ-იც მცირე კავკასიონზე ბუდობს და კავკასიური კ. (B. b. menetriesi), რ-იც მეტწილად კავკასიონზე გვხვდება. სასარგებლო ფრინველებია, საჭიროებენ დაცვას. *რ. ყორდანია.*

კაკაჩიშვილი სიმონ იაკობის ძე (2. II. 1903, სოფ. ვალე, ახლანდ. ახალციხის რ-ნი, — 10. XI. 1978, სოფ. ვალე), სოციალისტური შრომის გმირი (1966). სოფ. ვალეს ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბის თავ-რე (1933—78). სკკპ წევრი 1938-იდან. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

კაკბის ბალახი, დრიადი (Dryas), მარადმწვანე გართხმული ბუჩქოვანი მცენარეების გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 10-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია არქტიკულ და სუბარქტიკულ რ-ნებში, ჩრდ. ზომიერი სარტყლის მაღალმთიანეთში ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკაში. სსრკ-ში 10-მდე სახეობა გვხვდება ბარისა და მთის ტუნდრაში („გოლცებზე") და ალპურ მდელოებზე; საქართველოში კი ერთადერთი სახეობაა — კავკასიის ენდემი D. caucasica. კ. ბ-ს იყენებენ „ალპური გორაკების" მოსაწყობად.

კაკი, კახი, საქართველოს ისტორიული პროვინციის ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტი და მხარე. ახლანდ. აზერბ. სსრ ფარგლებში. მოიცავს კახის რ-ნის ტერიტორიას. ისტ. პუნქტი კ. რ-ნის ადმ. ცენტრია. პირველად იხსენიება XI ს. დასაწყისში, როგორც მნიშვნელოვანი საგაჭრო დაბა.

პოლიტ. ერთეულად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 1604 ირანის შაჰმა აბას I-მ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს ჰერეთის აღმოსავლეთი განაპირა თემი კ. ჩამოართვა და წახურელ ლეკებს გადასცა. კ. იყოფოდა 3 ნაწილად: *კახ-ბაში*, კახ-ინგილო და კახ-მუალი. XVIII ს. I მეოთხედში კ-ში საბოლოოდ ჩამოყალიბდა წახურელ ლეკთა ე. წ. *უბატონო თემები* (ელისუს ყარადულაკის, სუვაგილისა და წახურის) რ-თაც კახეთის სამეფოს საკმაოდ დიდი ნაწილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქცი ეს და დაიმორჩილეს. ასე ჩაეყარა საფუძ ველი შემდგომი დროის *ელისუს სასულ ნოს*, რ-იც XIX ს. შუა ხანებში რუს. იმპერიის შემადგენლობაში შეიდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., აღმ. საქართველო კახეთის წარსულიდან, მის წგნ.: ს ქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 3, თბ. 1966; პაპუაშვილი თ., ჭარ-ბელაქ ნი, თბ., 1972; მისივე, პერეთის ისტორი საკითხები, თბ., 1970. *თ. პაპუაშვილი.*

კაკინადა, ქალაქი და ნავსადგური ინ დოეთში, ბენგალის ყურის ნაპირზე, მ გოდავარის დელტაში, ანდჰრა-პრადეში შტატში. 164,2 ათ. მცხ. (1971). არხებ სისტემით დელტა უკავშირდება ზღვას გააქვთ ბამბა, ბრინჯი, ფქვილი, თამბ ქო და სხვ. კ-სა და მის მიდამოებში გა ვითარებულია მეტალურგია. პატარა ბენ ბის მშენებლობა. ხდიან მარილს.

კაკლიანი, სოფელი დმანისის რ-ნში (ყ ზილქილისის სოფსაბჭო), დმანისის პლ ტოზე. ზ. დ. 1340 *მ*, დმანისიდან 14 კ კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ. 16 *კმ*. განთიადის მერძევეობა-მეკარტ ფილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლ ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

კაკლისებრნი (Juglandaceae), ორლე ნიან მცენარეთა ოჯახი. ხეებია, იშვიათ ბუჩქები. მეტწილად ერთსახლიანი ქარი მტვერია მცენარეებია. ნაყოფი კურკიანა ოჯახი აერთიანებს 8 გვარის 70-მდე სა ობას. ძირითადად გავრცელებულია ორ ვე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტრ სარტყლებში. სსრკ-ში (მ. შ. საქართ ლოშიც) ბუნებრივად ამ ოჯახის 2 გვარ გავრცელებული: *კაკალი* და *ლაფან* კულტივირებულია პლატიკარია, ციკ კარია და კარია. კ-თა ნაყოფს იყენებ საჭმელში, მერქანს — ავეჯის დასამ დებლად.

კაკლუჯა (aucula), ერთთესლიანი უხს ლი ნაყოფი, რ-იც შედის აპოკარპული ნ ყოფის — ნაყოფედის შემადგენლობა (მაგ., ბაია). ზოგჯერ კ-ს უწოდებენ სხ

ცირე ზომის ერთთესლიან ნაყოფს (შავ-
ნარას „აპოკარპული კ.“, წიწიბურას
„ლიზიკარპული კ.“), აგრეთვე შავწამა-
ლასებრთა და ტუჩოსანთა ერემებს
და რძიანასებრთა მერიკარპიუ-
ლებს.

ᲙᲐᲙᲝᲒᲐᲕᲐ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსი-
ს სამხრ.-დას. ნაწილში, პიოგოს პრეფექ-
ტურაში. 166 ათ. მცხ. (1974). მანქანათმშ.,
ლ. შ. სატრანსპ. მანქანათმშ., მეტალ., სა-
ყელიერო (შალის ქსოვილები), კვების მრეწ-
ველობა.

ᲙᲐᲙᲝᲤᲝᲜᲘᲐ (ბერძნ. kakos — უხეში და
phōnē — ბგერა), ისეთი შეთანხმება,
ს-იც ბგერათა მოუწესრიგებელ, ქაოსურ
კოზლვავებად აღიქმება. ჩვეულებრივ,
Წარმოიქმნება ბგერათა შემთხვევითი შე-
ᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ შედეგად (მაგ., ორკესტრის
წყობის დროს). საზღვარგარეთული ბურჟ.
ᲬᲣᲡ. ხელოვნების ზოგიერთი წარმომად-
ᲔᲜᲔᲚᲘ თავის ნაწარმოებებში შეგნებუ-
ᲠᲐᲓ იყენებს კ-ის ელემენტებს.

ᲙᲐᲣᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ (<ლათ.
acumen—წვეტი, კენწერო), წინაენისმიერი
ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘ, რ-თა წარმოთქმისას მაგარი
ასისაკენ აწეული ენის წვერი გადაღუნუ-
ᲠᲘᲐ ზემოთ, ენის ზურგის წინა ნაწილი კი,
ირიქით, შეზნექილია. მაგ., რუს. ш, ж, р.
. Თ-ს უწოდებენ აგრეთვე ცერებრა-
ᲚᲣᲠᲘ, რეტროფლექსური.

ᲙᲐᲣᲨᲐᲫᲔ ალექსანდრე მოსეს ძე [დ. 4
17). XI. 1903, სოფ. პატრიკეთი, ქუთ.
ᲣᲑ., ახლანდ. წყალტუბოს რ-ნი], ქართ-
ელი საბჭ. მეცნიერი სამშენებლო მექან.
ა სამშენებლო კონსტრუქციების დარგში,
როფესორი (1958), საქ. სსრ დამს. ინჟი-
ერი (1961), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს.
ოლვაწე (1962). სკკპ წევრი 1940-იდან.
ᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ თსუ (1929) და თბილ. რკინი-
ᲗᲘᲡ ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტი (1932).
963—77 საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მა-
ᲚᲐᲗᲐ გამძლეობისა და დრეკადობის
ᲔᲝᲠᲘᲘᲡ კათედრის გამგე, 1977-იდან —
ᲘᲐᲕᲔ კათედრის პროფესორი. სამშენებლო
ᲛᲥᲜᲐᲜ. ქართ. სკოლის ერთ-ერთი შემქმნე-
ᲠᲘ. დაჯილდოებულია შრომის წითელი
ᲐᲠᲝᲛᲘᲡ ორდენითა და მედლებით (მ. შ.
. ჯავახიშვილის სახ. მედლით).

თხზ.: დრეკადობის და პლასტიკურობის
ᲗᲔᲝᲠᲘᲐ, ტ. 1—2, თბ., 1958—59; ფერმების
ᲛᲔᲠᲔᲕᲔᲑᲘ (გავლენის წირების მეთოდი), «სა-
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ინდუსტრიული ინ-ტის შრომები»,
135

ლიტ.: ნანეიშვილი ნ., ალექსან-
ᲓᲠᲔ კაკუშაძე. თბ., 1973.

ᲙᲐᲣᲨᲐᲫᲔ ტერენტი ისიდორეს ძე [5 (18).
I. 1901, ქუთაისი, — 1. V. 1979, თბი-
ᲡᲘᲡᲘ], ქართველი საბჭ. ფიზიკოსი, ფიზ.-
ᲛᲐᲗ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1950),
Ქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). და-
ᲗᲐᲕᲠᲐ თსუ (1924). 1937-იდან ა. პუშ-
ᲙᲘᲜᲘᲡ სახ. თბილ. პედ. ინ-ტის სწავლული
ᲥᲐᲠᲢᲘᲕᲐᲜᲘ; 1946—75 — ამავე ინ-ტის ფიზ.
ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ გამგე; მისი შრომები ეხება მყა-
ᲠᲘ სხეულის ფიზიკასა და რენტგენის სპექ-
ᲢᲠᲔᲑᲘᲡ თეორიას. კ-მ განავითარა ჯგუფუ-
ᲠᲘ გადასვლის თეორია და ახლებურად
ᲐᲮᲡᲜᲐ სატელიტების წარმოქმნა.

ᲙᲐᲚᲐ, ფეოდალური ხანის ციხე და უბანი
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში,
ᲠᲝᲕᲘᲡ სახ. რ-ნში. უბანი კ. მოიცავდა
Დ. წავკისისწყლის (ლელვთახევი) მარცხ-
Ა ნაპირის ტერიტორიას—ჩრდ.-დას.-ით,
ᲚᲐᲜᲓ. ლენინის მოედნის, დადიანის, პუშ-
ᲙᲘᲜᲘᲡ, ბარათაშვილის ქუჩებისა და მდ. მტკ-
ᲕᲠᲘᲡ გაყოლებით. წყაროებში პირველად
ᲛᲔ. ამბების თხრობასთან დაკავშირებით
ᲛᲝᲮᲡᲘᲔᲑᲘᲐ. სიტყვა „კ.“ გეოგრაფიული
ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ; გამოთქმულია მოსაზრება, რომ
ᲡᲐᲮᲔᲚᲬ. „კალა“—„ყალა“ არაბ. ლექსე-
ᲛᲘ. კ-ისა და საკუთრივ თბილისის (მდ. წა-
ᲠᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ. მარჯვენა ნაპირი) შერწყმის
ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ წარმოიქმნა ქალაქი. ამის შემდეგ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ქალაქის ციხის სახელად და-
ᲠᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘ კ-ის ციხეს მოგვიანებით უწოდებდნენ
ᲠᲘᲧᲐᲚᲐᲡ (ნარინყალა) და *ᲨᲣᲠᲘᲡ ᲪᲘ-
ᲮᲔᲡ* (იხ. აგრეთვე სტატიები *თბილისი, თბი-
ᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ*).

ლიტ.: ბერიძე თ., ... და აღმოცენდა
თბილისი, თბ., 1977; თბილისის ისტორია, შ.
მესხიას რედ., თბ., 1958. *თ. ბერიძე.*

ᲙᲐᲚᲐ (Stannum), Sn, ელემენტთა პერი-
ოდული სისტემის IV ჯგ. ქიმ. ელემენ-
ტი; ატ. ნომერი 50, ატ. მასა 118,69;
$t_{დნ}$ 231,9°C, $t_{დუღ}$ 2270°C, სიმკვრივე
7290 *კგ/მ*^{3}; თეთრი, მბზინვარე, რბილი,
მძიმე და პლასტიკური ლითონი, შედგება
ათი იზოტოპისაგან, რ-თა მასური რი-
ცხვებია: 112, 114 — 120, 122, 124;
^{120}Sn ყველაზე მეტადაა გავრცელებული
(დაახლ. 33%). კ. და მისი შენადნობი სპი-
ლენძთან (ბრინჯაო) ცნობილია უძველესი
დროიდან. კ-ის შემცველობა ლითოსფერო-
ში მასის მიხედვით 2,5·10^{-4}%-ია. კ-ის მი-
ნერალებს შორის მთავარი სამრეწვ. მნიშ-
ვნელობისაა *კასიტერიტი* SnO_2, ნაკლებ-
მნიშვნელოვანია *სტანინი* Cu_2FeSnS_4. ცნო-
ბილია კ-ის შემცველი წყლის მცენარე-
ები. კ. ძირითადად +2- და +4-ვალენტო-
ვანია. Sn(II) ნაერთები ძლიერი აღმდგე-
ნებია. ჰაერზე 100°C-მდე კ. არ იჟანგე-
ბა, ვინაიდან დაფარულია SnO_2 ჟანგის
თხელი აფსკით. ცივ, განზავებულ HCl
და H_2SO_4-იდან კ. ნელა ანაცვლებს წყალ-
ბადს და წარმოქმნის შესაბამისად $SnCl_2$
და $SnSO_4$. ცხელ კონცენტრირებულ გო-
გირდმჟავასთან კ. შედის რეაქციაში და
წარმოქმნის SO_2 და $Sn(SO_4)_2$. ცივი (0°C)
განზავებული აზოტმჟავა HNO_3 მოქმე-
დებს კ-თან შემდეგი რეაქციით:



$$4Sn + 10HNO_3 = 4Sn(NO_3)_2 + NH_4NO_3 + 3H_2O.$$

კ-ის ორჟანგი SnO_2 ქიმიურად მდგრადი
ნაერთია, SnO კი სწრაფად იჟანგება. SnO_2
მჟავური თვისებები აქვს, ხოლო SnO—ფუ-
ძისა. კ. უშუალოდ არ მოქმედებს წყალ-
ბადთან. SnH_4 მიიღება Mg_2Sn მარილმჟა-
ვასთან ურთიერთქმედებით. SnH_4 უფერუ-
ლი მოქმწამლავი აირია ($t_{დუღ}$ — 52°C),
არამდგრადია, ოთახის ტემპ-რაზე იშლება.
ჰალოგენებთან კ. წარმოქმნის SnX_2 და
SnX_4 შედგენილობის ნაერთებს, გოგირდ-
თან — სულფიდებს SnS და SnS_2. ტეტრა-
ჰალოგენიდები SnX_4 წარმოქმნის კომპლე-
ქსნაერთებს H_2O-სა და NH_3-თან, აზოტის
ჟანგეულებთან, PCl_5-სა და სხვ. ნაერთებ-
თან. ჰალოგენწყალბადმჟავებთან კ-ის ჰა-
ლოგენიდები წარმოქმნის ხსნარებში მდგ-
რად კომპლ. მჟავებს (მაგ., H_2SnCl_4 და
H_2SnCl_6).

კ-ს ლებულობენ მადნებიდან, სადაც მისი
რაოდენობა არანაკლებ 0,1%-ია. თავდა-
პირველად ნედლეულს ამდიდრებენ. 50—
70% კ-ის შემცველ კონცენტრატებს გო-
გირდის მოსაცილებლად გამოწვავენ, HCl-
ით გადაამუშავებენ რკინისგან გასათავი-
სუფლებლად. კონცენტრატებს შეადნობენ
ნახშირთან ელექტროლუმლებში და მიიღე-
ბენ შავ კ-ს (94—98%Sn). იგი შეიცავს
სხვადასხვა მინარევს, რ-საც შემდგომი
დამუშავებით აცილებენ.

კ-ისა და მისი არაორგ. ნაერთებისათ-
ვის არ არის დამახასიათებელი მაღალი
ტოქსიკურობა (სტანომეთანი SnH_4 კი ძლი-
ერი საწამლავია). ცუდად მოქმედებს ორ-
განიზმზე კ-ის ორგ. ნაერთები, განსაკუთ-
რებით დი- და ტრიალკილური ნაწარმები.

კ-ს იყენებენ საკონსერვო თუნუქის მო-
საკალავად, სასტამბო შენადნობების და-
სამზადებლად, დიდი ნაწილი იხმარება
სარჩილად. აგრეთვე სამხატვრო-დეკორ.
მასალად. კ-ის ორჟანგს SnO_2 იყენებენ
ცეცხლგამძლე მინანქრებისა და ჭიქურე-
ბის დასამზადებლად.

ლიტ.: Некрасов Б. В., Основы общей химии, 3 изд., т. 1, М., 1973.

ᲙᲐᲚᲐᲑᲠᲘᲐ (Calabria), ნახევარკუნძული
სამხრ. იტალიაში, აპენინის ნ.-კ-ის სამხრ.
ნაწილში, იონიის ზღვასა, მესინის სრუტე-
სა და ტირენის ზღვას შორის. სიგრძე და-
ახლ. 250 *კმ*, სიგანე 40-იდან 100 *კმ*-მდე.
კ-ის დიდი ნაწილი კალაბრიის აპენინებს



კალა. შუა საუკუნეები. ვახუშტი ბაგრატიონის გეგმის მიხედვით (XVIII ს.).

კაკაჩა: 1—ჩვეულებრივი; 2—ფეხბანჯგვლიანი.

კაგბის ბალახი (Dryas caucasica).

კალათა: 1—სქემა; 2—მზესუმზირას კალათაზე ჭრილი.



კალათბურთის სათამაშო მოედანი.



კალათბურთის დგარი ფარითა და კალათით.



კალამიტისნაირნი: 1—Stylocalamites; 2—Calamitina; 3—Eucalamites.

ნ. კალანდარიშვილი.

შეცვლა შეიძლება). კ-ის ბურთის გარშემოწერილობაა 75—78 *სმ*, მასა 600—650 გ. თამაშის დროს ჩაგდებული ბურთისათვის გუნდს ერიცხება 2 ქულა, ყოველი რეალიზებული საჯარიმო ტყორცნისათვის— 1; გამარჯვებულია ის გუნდი, რ-იც მეტ ქულას დააგროვებს. შეხვედრა შედგება ორი 20-წუთიანი ტაიმისაგან; უმცროსი ასაკის კალათბურთელებისა და ქალებისათვის თამაშის ხანგრძლივობა შემცირებულია. ტაიმებს შორის შესვენება—10 *წთ*. კ. ხელს უწყობს მოძრაობის კოორდინაციის გამომუშავებას, რეაქციისა და სისწრაფის გაუმჯობესებას, ავითარებს თვალზომას და ძალას, აკაჟებს ორგანიზმს.

ვაჟთა კ. ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია 1936-იდან, ქალთა კ. — 1976-იდან. 1952-იდან მოყოლებული სსრკ-ის კალათბურთელები 4-ჯერ (1952, 1956, 1960, 1964) ფლობდნენ ვერცხლის და ერთხელ (1968) ბრინჯაოს მედლებს. 1972 სსრკ ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. სსრკ ვაჟთა გუნდი 2-ჯერ (1967, 1974) იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ქალთა ნაკრები კი — 5-ჯერ (1959, 1964, 1967, 1971, 1975).

საქართველოში კალათბურთელთა პირველი მატჩი ჩატარდა თბილისში 1923. 20-იანი წწ. საუკეთესო გუნდი იყო „სინათლე" (თბილისი), შემდგომში კი — ოფიცერთა სახლისა და „დინამოს" (ორივე თბილისი) გუნდები. ოფიცერთა სახლის გუნდი სსრკ ჩემპიონი იყო 1944 და 1946; თვალსაჩინო მიღწევები აქვს *თბილისის „დინამოს" ოსტატ კალათბურთელთა გუნდს*. საქართვ. კალათბურთელები ცნობილი არიან სწრაფი, ტემპიანი და მალალტექ. თამაშით, გამოირჩევიან ტაქტიკური მრავალფეროვნებითა და იმპროვიზაციით.

კ-ის საერთაშ. ფედერაცია (ფიბა), რ-იც 1932 შეიქმნა, აერთიანებს მსოფლიოს 130 ეროვნულ ორგანიზაციას.

ნ. გუგუშვილი.

კალამაზუ (Kalamazoo), ქალაქი აშშ-ის ჩრდ. ნაწილში, მიჩიგანის შტატში. 85 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 210 ათ. (1975). სარკინიგზო კვანძი. ლითონდასამუშ., ქაღალდის, ქიმ., ფარმაცევტული მრეწველობა.

კალამბური (ფრანგ. calembour), სტილისტიკური ფიგურა, რ-იც აგებულია ფრაზაში ომონიმური (ერთნაირი ბგერადობისა და სხვადასხვა მნიშვნელობის) ან პოლისემიური (მრავალმნიშვნელობიანი) სიტყვების გამოყენებით. ტიპოლოგიურ მსგავსებას ავლენს მაჯამასთან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, გამიზნულია კომ. ეფექტისათვის. კ-ით იგება მცირე ფორმის ლექსი ან მინიატიურა. ჩართულია დიალოგებშიც. კ-ის მაგალითია:

> გვასწავლეთ, საით გაფრინდა
> ის ჩიტი ღვთით-მადლიანი
> და მოგვაშორეთ, არ გვინდა
> ეს დათვი ორ ბელიანი.
>
> (ა. წერეთელი).

ლექსში საუბარია დათვზე, რ-საც ორი ბელი ჰყავს, ნართაულად კი ნაგულისხმევია გრიგოლ ორბელიანი. *გ. გაჩეჩილაძე.*

კალამე (Kalámai), ქალაქი და ნავსადგური საბერძნეთში, პელოპონესის ნ.-კ-ის სამხრ. ნაწილში, მესინიაკოსის ყურის (იონიის ზღვა) ნაპირზე. მესინიის ნომის ადმ. ცენტრი. 39,3 ათ. მცხ. (1971). საფეიქრო (უმთავრესად აბრეშუმის), კვების მრეწველობა, თევზჭერა.

კალამი, იხ. *მყნობა*.

კალამინი (გვიანდ. ლათ. calamina), სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Zn_4[Si_2O_7][OH]_2 \cdot H_2O$. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. კრისტალები ფირფიტისებრი, პრიზმული აქვს, აგრეგატები—მტევნისებრი, ბოჭკოსებრი, მარცვლოვანი, დრუზები, სტალაქტიტები. უფერო, თეთრი ან მურა-მოცისფრო. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 4 — 5; სიმკვრივე 3400 — 3500 *კგ/მ³*. წარმოიქმნება ტყვიათუთიის საბადოს დაჟანგვის ზონაში. თუთიის ერთერთი მადანია. კ-ის მდიდარი საბადოებია სსრკ-ში, პოლონეთში და სხვ.

კალამიტისნაირნი (Calamitales), გადაშენებულ მცენარეთა რიგი. გარეგნულად წააგავდნენ გიგანტურ შვიტებს. მათგან განსხვავებით კ-თ მძლავრად განვითარებული მეორეული მერქანი ჰქონდათ, მაგრამ ადრეულად დაშლილი გულგულის ადგილას მათ ღეროშიც დიდი ღრუ იყო. კ-თა ძირითადი გვარი — Calamites — 3 ქვეგვარისაგან შედგება. პრიმიტიული კ. (ოსტეროკალამიტები) წარმოიშვნენ დევონური პერიოდის ბოლოს და კარბონულის შუა პერიოდში შეიცვალნენ ნამდვილი კ-ით, რ-ებიც შემდეგ პერმულ პერიოდში გადაშენდნენ. კ. ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული ტროპ. ზონის დაბლობებსა და დაჭაობებულ ადგილებში.

კალანდა, კ ა ლ ა ნ დ ო ბ ა [<ლათ. Calendae (მრ. რ.)—თვის პირველი დღე], ახალი წლის სახელწოდება გურიასა და სამეგრელოში, ხოლო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში—ახალი წლის წინა დღე. კ-თან არის დაკავშირებული ხალხ. სახელწოდებანი —ს ა კ ა ლ ა ნ დ ო პ ა ურ-ღ ვ ი ნ ო, სვან. ლ ე კ ა ლ ა ნ დ (საკალანდო ანუ საახალწლო ღორი), კ ა ლ ა ნ დ ი ს ღ ო რ ი ს ყ ბ ა და სხვ. ამ ყბას გურიაში გოჭის ხუთშაბათს ხაჭაპურს, ახალი წლის ნარჩენ ღვინოს, ანთებულ სანთლებს შემოურიგებდნენ და წმ. ბასილს ოჯახის ბედნიერებასა და ბარაქიანობას შესთხოვდნენ (იხ. სტ. *ახალწელიწადი*).

ლიტ.: ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ვ., ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ახალწელიწადი საქართველოში, ტფ., 1927.

ა. სოხაძე.

კალანდარიშვილი გერასიმე (1836—1874), ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. 1962 დაამთავრა კიევის სას. აკადემია, დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო ქუთ. სას. სასწავლებელში ზედამხედველად. დიდი ამაგი დასდო ქართ. პედ. აზროვნების განვითარებას. არის მრავალი პუბლიც. სტატიისა და პოლემიკური წერილის ავტორი. შეადგინა სახელმძღვანელო „რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველებისათვის", რ-მაც დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ზ. შველიძე.

კალანდარიშვილი (პარტ. ფსევდ. ნ ე ს ტ ო რ ი, პ ა ა პ ა) ნესტორ ალექსანდრეს ძე [26. VI (8. VII). 1876 (ან 1874), სოფ. შემოქმედი, ახლანდ. მახარაძის რ-ნი, — 6. III. 1922, იაკუტსკთან], სამოქალაქო ომის (1918—20) დროს პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აღმ. ციმბირში. სწავლობდა თბილ. სამასწავლებლო სემინარიაში. 1903-იდან ესერების პარტიის წევრი. მონაწილეობდა გურიის გლეხთა აჯანყებაში (1905—06). 1907 დააპატიმრეს და 1917 თებ-მდე გადასახლებული იყო ციმბირში. 1917 მიემხრო ანარქისტ-კომუნისტების პარტიას. 1921 შევიდა კომუნისტურ პარტიაში. აქტიურად მონაწილეობდა ირკუტსკში საბჭ. ხელისუფლების დამყარებაში. რკპ(ბ) ირკუტსკის გუბკომის მითითებით 1918 ირკუტსკში კოლჩაკის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა პარტიზ. რაზმი, შემდეგ იბრძოდა იმიერბაიკალეთში სემიონოველთა წინააღმდეგ. 1921 დასასრულიდან სარდლობდა იაკუტიის ოლქისა და ჩრდ. მხარის ჯარებს. 1922 იანვარში 300-კაციანი რაზმით გაემართა თეთრგვარდიელთა ბანდის სალიკვიდაციოდ, მაგრამ ალყაში მოექცა და ბრძოლაში დაილუპა. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

კალანდარიშვილი ოთარ დიმიტრის ძე (დ. 16. VII. 1925, თბილისი), ქართველი საბჭ. არქიტექტორი. საქ. სსრ დამს. არქიტექტორი (1967). სკკპ წევრი 1969-იდან. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1950). მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: პიონერთა სასახლის პარკის გალავანი თბილისში (1952), ინდივიდ. საგარაჯო სახლები წყნეთში (1953), ოქტომბრის ქუჩის რეკონსტრუქციის პროექტი (1954), სასტუმრო „ევერია" (1967, თანაავტორი ი. ცხომელიძე, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1972), მეტროს სადგურ „რუსთაველის მოედნის" მიწისზედა პავილიონი (1965), ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების გაანაშენიანება — საცხოვრ. კომპლექსი „შატილი" (1974—76), აგრეთვე თბილ. ცენტრ. უბნისა და რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი (1953), ვახტანგ გორგასლის ძეგლის საკონკურსო პროექტი (1957, III პრემია, მოქანდაკე გ. კორძახიასთან ერთად). *ს. კინწურაშვილი.*

კალანდაძე ალექსანდრე ნესტორის ძე [2 (15). IV. 1909, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 16. XI. 1976, თბილისი], ქართველი საბჭ. არქეოლოგი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971). სკკპ წევრი 1943-იდან. 1937—41 მუშაობდა ენის, ისტ. და მატერიალური კულტ. ინ-ტში; 1939-იდან საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, შემდეგ — ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტში ჯერ უფროს მეცნ. მუშაკად და შემდეგ ქვის ხანის არქეოლ. განყ-ბის ხელმძღვანელად.

მონაწილეობდა სსრკ მეცნ. აკად. აფხ. ექსპედიციის მუშაობაში (1936), ხელმძღვანელობდა არქეოლ. გათხრებს მცხეთაში (1937—41, 1946—76), სოხუმში (1951—53), წინაში (1963—72) და სხვ. გამოიკვლია და შეისწავლა ძვ. ქ-ები და საქალაქო ცხოვრება და მდაბიოთა საცხოვრებელი სახლები სამთავროსა და ნარეკვავზე. მის სახელთან დაკავშირებულია ქვის ხანის ნამოსახლართა სისტემური კვლევა და სხვ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, «მიმომხილველი», 1949, ტ. 1; მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, «ენიმკის მოამბე», 1939, ტ. 4, ნაკვ. 3; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. 1—2, თბ., 1955—78 (თანაავტ.); საქართველოს ტერიტორიაზე წინაგვაროვნული საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიისათვის, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1956, ტ. 2; სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხ., 1953; Вопросы периодизации Самтавро, «Краткие сообщения Ин-та истории материальной культуры», 1949, в. 24; Цонская пещера и ее культура, «Пещеры Грузии», 1965, № 3.

ა. აფაქიძე.

კალანდაძე ალექსანდრე პავლეს ძე (დ. 1. VI. 1916, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1966). სკკპ წევრი 1940-იდან. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. იბრძოდა ბრესტის ციხესიმაგრეში. მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, პოლონეთსა და საფრანგეთში. 1975-იდან კ. რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბის ხელმძღვანელია. კ-ს ეკუთვნის რომანები „პიასტის ნამუხლარზე" (1967), „მაკიზარებთან" (1969), „მწვანე შტო" (1974), „ნეიშნის ფიცი" (1977); ლიტ.-კრიტიკული ნაშრომები „ივანე კერესელიძე" (1959), „საქართველოს მოამბე" (1963), „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია" (ტ. 1, 1978), „გემოვნების კრიტიკა" (1976) და

სხვ. კ-ის თხზულებანი თარგმნილია რუს., უკრ., ბელორ. ენებზე.

თხზ.: დღეები ბრესტის სიმაგრეში, თბ., 1968.

კალანდაძე ანა პავლეს ასული (დ. 15. XII. 1924, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი. 1946 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. ამავე წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსები. პირველი კრებ. „ლექსები" 1953 გამოსცა. კ-ის პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფით და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართ. პოეზიაში ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. კ-ის შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი ლირ. თვითგამოხატვით ცხადდება და უაღრესი ინტიმურობის ელფერს იძენს. ასე აყვერდა მის ლექსებში, კერძოდ, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების, მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისის თემაც („კარში გამო, ჭიაჭია მარია", 1946); ასეთია ბუნების გრძნობაც („თუთა", 1945; „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა", 1946; „ბეთანიის გზაზე", 1954). ისტორია კ-ის ლექსში არასოდეს არ გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო", „ასეთი დარი თუ იყო მაშინ", ორივე 1945; „ღრუბლები", 1953). კ-ის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა —სიკეთის, ქედუბრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგ. განცდას („საქართველოო ლამაზო", 1945; „მრავალჟამიერ", 1952; „ფეხი დამადგით", „მას, ალაერდის დიდებულ ტაძარს", ორივე, 1959). მისი ლექსის საზ. ჟღერადობა ეფუძნება თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიწმინდისა და ამაღლების ამოცანას („ნუ მიმცემ ეჭვთა", 1957; „ისევ გახსენი გული ჩემი", 1961). სიყვარული კ-ის შემოქმედებაში განუმეორებელი კდემით აღსავსე, ამაღლებული და სევდანარევი რომანტიკული განცდაა („რისად არ მომზედავ", 1945; „შეყვარებული ოდეს ქარები", 1954).

კ-ის პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმით გამოირჩევა. სინამდვილე მის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი, გაფაქიზებული სახით წარმოჩნდება. მაღალი პათეტიკისა და წრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით არის მიღწეული.

კ-ის პოეტური კრებულები გამოიცა 1957, 1960, 1967, 1976 და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რუს. და სსრკ-ის სხვა ხალხთა, აგრეთვე ინგლ., ფრანგ., გერმ., პოლ., რუმ., თურქ., არაბ. და სხვ. ენებზე. დაჯილდოებულია 2 „საპატიო ნიშნის" ორდენით.

თხზ.: რჩეული, თბ., 1976.

ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე ნ., ლიტერატურული წვრილები, თბ., 1969; ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი თ., პოეზია—სიბრძნის დარგი, თბ., 1978; ჭ ი ლ ა ძ ე თ., წერილები, თბ., 1978. *გ. ასათიანი.*

კალანდაძე ანტიფორე დიმიტრის ძე [22. X (4. XI). 1910, სოფ. ხორითი, ახლანდ. ორჯონიკიძის რ-ნი, — 6. VII. 1976, თბილისი], ქართველი საბჭ. სამთო ინჟინერ-გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1949). სკკპ წევრი 1939-იდან. 1939 დაამთავრა ს. კიროვის სახ. ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტი.

კ-ის შრომები ძირითადად ეხება სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საკითხებს. 1951 საქართვ. ბარიტის საბადოთა შესწავლისათვის კ-ს სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე (24. VIII. 1912, სოფ. ძირულა, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი, — 20. II. 1979, თბილისი), ქართველი საბჭ. პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1974). პირველი ლექსები 1934 გამოაქვეყნა. კ-ს ეკუთვნის ლექსთა კრებულები „ლექსები" (1939), „ჩაუქრობელი კერა" (1958), „მზე შუბის ტარზე" (1964), „სატურფალო" (1967), „ოცნება ცისკრად ამომავალი" (1974); გამოკვლევები „ქართული ხალხური ბალადა" (1957), „ეგნატე ნინოშვილი" (1959), „გიორგი ლეონიძის შემოქმედება" (1967), ლიტ. წერილების კრებ. „დროის მხარდამხარ" (1975) და სხვ. *დ. თევზაძე.*

კალანდაძე ედმუნდ ლავროსის ძე (დ. 4. V. 1923, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. ფერმწერი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1964). 1956 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. კ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დაუცხრომელი ძიება და ექსპერიმენტი. მისი ადრინდ. პორტრეტები ე. ანდრონიკაშვილისა, ნ. ღამბაშიძისა, ზ. ნიჟარაძისა, (ყველა 1955; საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმი) ლირიკული ხასიათისაა. შემდეგ შექმნა პუანტილისტური პორტრეტები და პეიზაჟები („კარლ მარქსის სახ. ხიდი", 1955; „კომკავშირელის პორტრეტი", 1959; „საცურაო აუზი", 1957; ყველა საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმი), რ-ებშიც მხატვარი ცდილობს მიაღწიოს გამომსახველ ფერწერულობას, კოლორიტის სიმდიდრეს. მომდევნო ნამუშევარში — „ქალიშვილი სვიტრში" — კ-მ უარყო პუანტილიზმი, მაგრამ შეინარჩუნა კოლორიტის სიმდიდრე, ფორმათა მკვრივი და მყარი ძერწვა. მისი კოლორიტი ემსახურება სახის ფსიქოლ. გახსნას, განწყობილების შექმნას. მხატვარი ღრმად გრძნობს ადამიანის შინაგან სამყაროს.

კალანდაძე ლავროსი გიგილოს ძე (დ. 23. XII. 1903, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. კრიტიკოსი. სკკპ წევრი 1921-იდან. 1930—33 სწავლობდა მოსკ. წითელი პროფესურის ენის, ლიტ-რისა და ხელოვნ. ინ-ტში. პირველი ნაწარმოები 1923 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი — „წერილები ლიტერატურაზე" — 1955. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე (1958, რუს. ენაზე), კრიტ. წერილების კრებულები „ლიტერატურული წერილები" (1972), „ლიტერატურული შენიშვნები" (1974, რუს. ენაზე), „ლიტერატურული ნაფიქრები" (1976), ა. გერცენისა და კ. უშინსკის თხზულებათა თარგმანები. კ-ის ნარკვევი ნ. ბარათაშვილის შესახებ დაბეჭდილია რუს., ინგლ., გერმ., ფრანგ. და სხვ. ენებზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კალანდაძე ლეონიდე პოლიევქტის ძე [4(11). XI. 1898, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 23. VII. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. აგრონომ-ენტომოლოგი. საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946); საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1954), სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი (1921), მიუნხენის უნ-ტის საკ-ყო ფაკ-ტი (1927). 1932-68 იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის ზოოლ. და ენტომ. კათედრის გამგე და დირექტორის მოადგილე სასწ. ნაწილში (1945—50). კ. საქართველოში სამედ. ენტომ. ერთ-ერთი ფუძემდებელია. ხელმძღვანელობდა საქართველოში კოლოების სახეობრივი შედგენილობისა და გავრცელების შემსწავლელ ექსპედიციებს. მისივე თაოსნობით ტროპ. სნეულებათა ინ-ტში (ამჟამად ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი) მოეწყო სპეც. ენტომ. ლაბორ., საგამბუზიო და სხვ. გამოიკვლია ჭაობებისა და მცირე ზომის წყალსატევების ფაუნა. დაამუშავა ქართ. ენტომ. ტერმინოლოგია; მისი საერთო რედაქციითა და თანაავტორობით შედგა ენტომ. სახელმძღვანელოები (ნაწ. 1—2, 1956—62). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

გ. თოდუა.

ანა კალანდაძე.

კალანდაძე (ფსევდ. ე შ მ ა კ ი) ნესტორ ლაზარეს ძე [1874, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 1942, პარიზი], ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, მხატვარ-კარიკატურისტი. ა. წერეთელთან ერთად თანამშრომლობდა ჟურნალებში: *„ეკალი"*, *„შუამავალი"*, *„ოხუნჯი"* (სამივე 1907), *„ჯოჯოხეთი"* (1909) და სხვ. ამ გამოცემათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია *„ეშმაკის მათრახი"*, რ-ის ფაქტობრივი რედაქტორი იყო კ., თუმცა ცენზურის თვალის ასახვევად ჟურნალს ხელს აწერდა ასოთამწყობი თ. ბოლქვაძე. კ-ს შ. შარაშიძესთან (ფსევდ. თაგუნა) ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. იუმორისა და სატირის განვითარების საქმეში.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969. *ნ. ხომერიკი.*

ე. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. მხატვარ ზ. ნიჟარაძის პორტრეტი. 1955. საქართვ. ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

კალანდრი (ფრანგ. calandre), წნები, რ-საც აქვს ჰორიზონტალურად განლაგებული ლილვები (2-იდან 20-მდე). ამ ლილვებს შორის ატარებენ რულონის ან ფურცლის ფორმის მასალას (ქსოვილს, ქაღალდს, რეზინს) უკანასკნელის სიმკვრივის, სიგლუვის გასადიდებლად და მასზე ტვიფვრით ნახატის ან სახის დასატანად. ქაღალდის წარმოებაში იყენებენ სხვადასხვა სახეობის კ-ს (მანქანური კ., სუპერ კალანდრი, საკალიბრებელი და სატვიფრი კ-ები). კ-ის ლილვებს (გარდა სატვიფრისა) აქვს გლუვი გახეხილი ზედაპირი. მათ ჩვეულებრივ ლითონისაგან ამზადებენ. ლილვებს შორის საჭირო წნევას უზრუნველყოფს მათივე საკუთარი წონა, ზოგჯერ კი — დამატ. მიმჭერი, რ-იც პნევმოან ჰიდრომოწყობილობის დახმარებით მუშაობს. კ-ს იყენებენ აგრეთვე საფეიქრო და ქიმ. წარმოებაში.

ლ. გ. კალანდაძე.

კალანუსები (Calanoida), პლანქტონური უხერხემლოების ქვერიგი *ნიჩაბფეხიანების* რიგისა. მათი სიგრძე 0,5—14 *მმ* აღწევს. თავმკერდზე თვალი და 5 წყვილი დანამატი აქვთ, მკერდზე — ყბაფეხები და 4—5 წყვილი საცურაო ფეხი. სუნთქავენ სხეულის ზედაპირით. დედალი კვერცხებს წყალში დებს ან პარკით ატარებს. კ. იკვებებიან ფიტოპლანქტონით, იშვიათად მტაცებლობენ. თავის მხრივ, კ-საც ლიფსიტები და პლანქტონის მჭამელი თევზები ანადგურებენ. ცნობილია კ-ის 200 გვარის 2000-ზე მეტი სახეობა. ფართოდ არიან გავრცელებული. ზღვის კ-ის უმრავლესობას *ბითოლუმინესცენცია* ახასიათებს.

კალაპოტი, ხეობის ნაწილი, რ-იც წყლის ნაკადს უკავია. კ. შესაძლოა რამდენიმე *მ*-იდან ათეული *კმ* სიგანის იყოს. ბარის მდინარეთა კ. მეტწილად დაკლაკნილი ან დატოტვილია, უმთავრესად ლამით, ქვიშითა და ხრეშით მოფენილი. მთის მდინარეთა კ. უფრო სწორი, ლოდნარიანი, ჭორომიანი და ჩანჩქერიანია.

ლ. პ. კალანდაძე.

კალარაში, ქალაქი (1940-იდან) მოლდ. სსრ-ში. კალარაშის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური კიშინიოვ—უნგენის ხაზზე, კიშინიოვიდან 50 *კმ*. ღვინო-კონიაკის კომბინატი, საკონსერვო, ყველ-კარაქის ქ-ნები. სამკერვალო მრეწველობა. პედ. სასწავლებელი.

კალასი (Callas) (ნამდვ. გვარი კ ა ლ ო გ ე რ ო პ უ ლ ო ს ი) მარია (3. XII. 1923, ნიუ-იორკი,—16. IX. 1977, პარიზი), საოპერო მომღერალი (ლირიკულ-დრამატული სოპრანო), ეროვნებით ბერძენი. XX ს. ვოკალური ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი. 1937-იდან სწავლობდა ათენის კონსერვატორიაში. 1940—50-იან წლებში მღეროდა მსოფლიოს უდიდეს თეატრებში — „ლა სკალაში" (მილანი, 1950-იდან), „კოვენტ-გარდენში" (ლონდონი, 1952), ჩიკაგოს საოპერო თეატრში (1954—55), „მეტროპოლიტენ-ოპერაში" (ნიუ-იორკი, 1956—58), 1960-იდან კვლავ „ლა სკალაში". კ. რომანტიკული სტილის მომღე-

კალანდრი.

მ. კალასი.

მ. კალატოზიშვილი.



კადრი ფილმიდან „მიფრინავენ წეროები". 1957. რეჟისორი მ. კალატოზიშვილი.



მ. კალაშნიკოვი. ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე (არქიტ. ნ. სევეროვთან ერთად). თბილისი. 1936.

რალი იყო. მის შემოქმედებაში მაღალი ოსტატობითაა ერთმანეთთან შერწყმული ვოკალური და დრამ. ხელოვნება. საუკეთესო პარტიებია: ლუჩია, ანა ბოლეინი (დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური", „ანა ბოლეინი"), ნორმა, ამინა, იმოგენა (ბელინის „ნორმა", „სომნამბულა", „მეკობრე"), ვიოლეტა (ვერდის „ტრავიატა"), ტოსკა (პუჩინის „ტოსკა") და სხვ. შეასრულა აგრეთვე კარმენის პარტია, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო სოპრანოების საშემსრულებლო პრაქტიკაში.

კალატოზიშვილი მიხეილ კონსტანტინეს ძე [15 (28). XII. 1903, თბილისი, — 26. III. 1973, მოსკოვი], ქართველი საბჭ. კინორეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1969). სკკპ წევრი 1939-იდან. კ-ის პირველი დამოუკიდებელი რეჟისორული ნამუშევარია ფილმი „მათი სამეფო" (1928). შემდეგ გადაიღო ფილმი „ჯიმ შვანთე" („მარილი სვანეთს", 1930), ნოვატორული, პოეტური ნაწარმოები, რ-შიც დოკუმენტური და მხატვრული კინოს სანახაობითი პრინციპები ერთმანეთშია შერწყმული. 1933 კ. შეავიდა ლენინგრ. ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიაში. სარეჟისორო მოღვაწეობას დაუბრუნდა 1939 (ფილმი „მამაცობა"). 1941 დადგა ფილმი „ვალერი ჩკალოვი". ფილმი „განწირულთა შეთქმულება" შექმნილია ნ. ვირტას ამავე სახელწ. მოთხრობის მიხედვით (1950, სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). შემდეგი ეტაპი რეჟისორის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში იწყება კინოკომედია „ერთგული მეგობრებით" (1954), რ-შიც ლირიკა და პოეტურობა ოსტატურადაა შერწყმული სატირასა და გროტესკთან. ფილმი „პირველი ეშელონი" (1956) ეძღვნება საბჭ. ახალგაზრდობის მამაცობასა და გმირობას. მსოფლიო აღიარება მოიპოვა კ-ის ფილმმა „მიფრინავენ წეროები" (1957, ოქროს პალმის შტო კანის XI საერთაშ. კინოფესტივალზე, 1958). ფილმში სრულყოფილად აისახა ომისა და მშვიდობის, სიყვარულისა და მეგობრობის, ახალგაზრდობის თემა. ტაიგაში დაკუპული გეოლოგების ჯგუფის ტრაგიკულ ამბავს ეძღვნება ფილმი „გაუგზავნელი წერილი" (1960, ვ. ოსიპოვის მოთხრობის მიხედვით). უ. ნობილეს ჩრდ. პოლუსის ექსპედიციის საბუთები დაედო საფუძვლად იტალია-სსრკ-ის ერთობლივ ფილმს „წითელი კარავი" (1970, სსრკ სახელმწ. პრემია, 1971). კ. დაჯილდოებულია 3 ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Кремлев Г., Михаил Калатозов, М., 1964.

კალატრავა (Calatrava), სასულიერო-რაინდული ორდენი ესპანეთში. დაარსდა *რეკონკისტის* ხანაში კასტილიაში 1158. დაამტკიცა პაპმა ალექსანდრე III-მ 1164. სახელი ეწოდა ციხესიმაგრე კ-ს მიხედვით (ახლანდ. სიუდად-რეალის პროვინცია), რ-იც მავრთაგან გაათავისუფლეს რაინდებმა. ორდენი ძალიან გაძლიერდა XV ს-ში. იგი დიდ პოლიტ. როლს თამაშობდა, ერეოდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხში. 1489-იდან ორდენს სამეფო ხელისუფლება მართავდა. პაპის თანხმობით მეფე ფერდინანდ V ორდენის დიდი მაგისტროსი გახდა. 1873 კ-ს ორდენი გაუქმდა.

კალაური, სოფელი გურჯაანის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. სოფსაბჭო, რკინიგზის სადგური. ზ. დ. 550 *მ*, გურჯაანიდან 18 *კმ*. კალაურის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

კალაური, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (პერევისის სოფსაბჭო), მდ. საძალისხევის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 680 *მ*, ჭიათურიდან 6 *კმ*. ჭიათურის სამთამადნო კომბინატის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. მანგანუმის წარმოება. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. წასრში (3 *კმ*). ბ-კა.

კალაში, სოფელი მესტიის რ-ნში (ეცერის სოფსაბჭო), მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, მესტიიდან 26 *კმ*. ბეჩოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ისკარში (4 *კმ*). ბ-კა.

კალაშნიკოვი მიხეილ გიორგის ძე [6 (19). VII. 1886, თემირ-ხან-შურა, ახლანდ. ბუინაქსკი, დაღ. ასსრ, — 25. VIII. 1969, მოსკოვი], რუსი საბჭ. არქიტექტორი, საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1947). დამთავრა პეტერბ. სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1910) და პეტროგრ. უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი (1917). შემდეგ მუშაობდა საქართველოში. აზომა გუდარეხის, იკორთის, გურჯაანის, ურიათუბნის, ვაჩნაძიანის, ატენის, ძვ. შუამთის, ბეთანიის ტაძრები. პროექტებში, რ-ებიც მაღალი პროფ. ოსტატობით გამოირჩევა, კ. ეყრდნობოდა რუს. კლასიციზმის ტრადიციებს. ნამუშევრები: ლიბანის სანატორიუმი (1924—26), ხაშურის თეატრი (1927), საცხოვრებელი სახლები თბილისში (ასბინიანი სახლი გმირთა მოედანზე, 1936, ნ. სევეროვთან ერთად) და სხვ.

კალაჩი, ქალაქი (1945-იდან) რსფსრ ვორონეჟის ოლქში, მდ-ების ტოლუჩეევკისა და პოდგორნაიის (დონის აუზი) შესართავთან. კალაჩის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის ტოტის ბოლო სადგური. კვების მრეწვ. (შაქრის ქ-ნა, წისქვილკომბინატი, ფრინველ-ხორცისა და კვების კომბინატები და სხვ.), საშენ მასალათა და მექან. ქ-ნები. სოფ. მეურნ. მექანიზაციის ტექნიკუმი. კ. დაარსდა XVIII ს. დასაწყისში.

კალაჩინსკი, ქალაქი (1952-იდან) რსფსრ ომსკის ოლქში, მდ. ომის (ირტიშის შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური, ომსკიდან 88 *კმ*. მექან. ქ-ნა, საქსოვი ფ-კა, კვების მრეწვ. საწარმოები, საშენ მასალათა კომბინატი. კ. დაარსდა 1830.

კალაძე გულდა კარლოს ძე (5. II. 1932, თბილისი,— 15. VIII. 1974, იქვე), ქართველი საბჭ. მოქანდაკე და გრაფიკოსი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1967). სკკპ წევრი 1962-იდან. 1957 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. მის შემოქმედებას ახასიათებს ფორმის გრძნობა, დახვეწილი პროპორციები. ნამუშევრები: „ყურძნის მტევანი" (ბრინჯაო, 1957), „განთიადი" (თაბაშირი, 1960), „შემოდგომა" (ბრინჯაო, 1962), ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსისათვის შექმნილი სკულპტურული ჯგუფი „ოჯახი" (ქვა, 1967) მონუმენტური რელიეფი სასტუმრო „ივერიისათვის" (ქვა, 1968). მუშაობდა წიგნის ილუსტრაციის დარგში. საქ. ალკკ პრემიის ლაურეატი (1971).

კალაძე კარლო რაჟდენის ძე [დ. 16 (29). III. 1907, სოფ. ეწერი (ჯიქუთუბანი), ახლანდ. სამტრედიის რ-ნი], ქართველი საბჭ. პოეტი და დრამატურგი; სკკპ წევრი 1939-იდან. პირველი ლექსები 1920 გამოაქვეყნა ბოლშევიკურ არალეგალურ პრესაში კაკი ეწრელის ფსევდონიმით, ლექსების პირველი წიგნი — 1926. იყო ქართ. *პროლეტარული მწერლობის* თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისი მეორე თაობის მეთაურთაგანი.

კ-ის ადრინდელი ლექსებისათვის დამახასიათებელია კომკავშირულ-რევ. და ეროვნ.-პატრ. პათოსი. 1928 ქუთ. თეატრში, რ-საც ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი, დაიდგა კ-ის პიესა „როგორ", რ-შიც ასახულია ბრძოლა თვითმპყრობელობის წინაალმდეგ, ხოლო 1929 — პიესა „ხატიჯე", რ-შიც ძვ. და ახ. საზ-ბის ბრძოლა მამა-შვილის ტრაგიკული დაპირისპირებითაა გამოხატული. მისი სხვა დრამატ. ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია კომედია „სახლი მტკვრის პირას" (1930).

30-იან წლებში კ-ის პოეზიის თემატიკა და იდეურ-მხატვრული სამყარო გამრავალფეროვნდა. მასში აისახა სოფლის კოლექტივიზაცია (პოემა „უჩარდაინი", 1932), სოციალ. მშენებლობა („მთების ეპოსი", 1934; ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები", 1935). სამამულო ომის წლებში პოეტი ფრონტის მებრძოლთა მხარდამჭერ ქმნიდა საბრძოლო-პატრ. ლექსებს („საქვეყნოდ ომის ხმა დარხეულა", „უსახელო მთის ბალადა", „ჩემი გმირი", ციკლები „დიდი სამამულო ომი, თბილისი", „შეხვედრები ბრძოლის ველზე", 1942). კ-ის როგორც ომის პერიოდში შექმნილ, ისე შემდგომდროინდელ პოეზიაში ერთ-ერთ ლაიტმოტივად იქცა სოციალ. თანამეგობრობა. მოძმე ხალხების საერთო ისტ. ბედითა და ურთიერთსიყვარულითაა შთაგონებული მისი პოემები „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა" (1945—55), „მედინადი", ლექსთა ციკლები „სიმღერები დნეპრის პირად" (1949), „ფიქრი გზადაგზა" (1957—58), „შავი ზღვის პირად სახლი ავაგე" (1958—59), „ჩემს ბაღში".

60—70-იან წლებში კ-ის პოეტური სამყარო გამდიდრდა ტრად. თემატიკის ახლებური გააზრებით („დღისა და ღამის წიგნი"), ფილოს. განსჯით („მამა"), სიცოცხლისა და ყოფიერების სიხარულის უფრო ღრმა განცდით (ციკლები „სამოცდაანი წლები", „ლირიკა", „ჩემს ძალაში" და სხვ.). პოეტის ლექსები თარგმნილია რუს., უკრ., ინგლ., ფრანგ., გერმ. ენებზე. კ. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევ. ორდენით, 3 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თხზ.: ლექსები და პოემები. თბ., 1970; მხოლოდ ახალი, მხოლოდ რჩეული, თბ., 1976.

ლიტ.: გვერდწითელი გ., ლიტერატურული პორტრეტები, ესეიზები, წერილები, თბ., 1968.

დ. თევზაძე.

კალაძე ნიკოლოზ ივანეს ძე (დ. 28. V. 1909, სოფ. კულაში, ახლანდ. დაბა კულაში, სამტრედიის რ-ნი), საბჭ. გენერალ-მაიორი (1945). სკკპ წევრი 1928-იდან. თბილ. სამხ. მეთაურთა ქართ. გაერთ. სკოლის დამთავრების (1927) შემდეგ 1938-მდე მსახურობდა ამიერკავკ. სამხ. ოლქში. 1933 დაამთავრა თბილ. პედ. ინ-ტის საზ.-ეკონ. ფაკ-ტი. 1938 ბოლოს დაინიშნა კიევის განსაკუთრებულ სამხ. ოლქში დივიზიის პოლიტგანყ-ბის უფროსად, 1939 — დივიზიის სამხ. კომისრად. მონაწილეობდა დას. უკრაინის განთავისუფლებაში (1939), იბრძოდა თეთრფინელების წინააღმდეგ (1940). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს იყო დივიზიის მეთაურის მოადგილე (1942-იდან), მეთაური (1943-იდან). მონაწილეობდა ლვოვთან, კიევთან, ხარკოვთან, დონის ველზე, სტალინგრადთან, კურსკთან, უკრაინაში გამართულ ბრძოლებში. აგრეთვე პოლონეთის განთავისუფლებაში, ბერლინის ოპერაციაში. კ. ვოროშილოვის სახ. უმაღლესი სამხ. აკადემიის (ამჟამად გენშტაბის აკადემია) დამთავრების (1948) შემდეგ მეთაურობდა სამხ. შენაერთებს. 1962-იდან თადარიგშია. 1964-იდან არის ამიერკავკ. სამხ. ოლქის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხ.-სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 7 სხვა ორდენითა და მედლებით. ავტორია სამხ.-ისტ. ნარკვევებისა.

თხზ.: სტალინგრადი, კურსკი, ბერლინი, თბ., 1971; უდრეკი კავკასიონი, თბ., 1973.

კალაჰარი (Kalahari), ღრმული სამხრ. აფრიკის ცენტრალურ ნაწილში, ანგოლის, ზამბიის, ნამიბიის, ბოტსვანის, ზიმბაბვეს და სამხრ. აფრიკის რესპ. ტერიტორიებზე. წარმოადგენს აფრიკის ბაქნის სინეკლიზას. აღმ. და დას-ით ესაზღვრება საფეხურებრივი პლატოები და ლოდა-ჰორსტული ქედები, ჩრდ-ით — კონგოზამბეზის წყალგამყოფი, სამხრ-ის საზღვარი მდ. ორანჟს გასდევს. გადაჭიმულია ჩრდ-იდან სამხრ-კენ თითქმის 2000 *კმ*-მდე, დას-იდან აღმ-კენ 1200 *კმ* მეტ მანძილზე. სიმაღლე 900—1000 *მ*, ფართ. დაახლ. 630 ათ. *კმ*². ვაკეზე ბარხანული ქვიშებია, ბევრია მლაშობიც. ჰავა ტროპ.,

ჩრდ-ით სუბეკვატორულია. ნალექები ზაფხულობითაა; ჩრდ.-აღმ-ით 1000 *მმ*, სამხრ.-დას-ით 150 *მმ* წელიწადში. ზაფხულის საშ. ტემპ-რაა 24—26°C, ზამთრისა 12—18°C. კ. ლარიბია შიგა ჩამონადენით (მდ. ოკავანგოს სისტემა). ჩრდ. და სამხრ. ნაწილს კვეთს მდ-ები ზამბეზი და ორანჟი. გავრცელებულია უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა, ჩრდ. ნაწილში მეჩხერი ტყეა, ოკავანგოსა და ზამბეზის ხეობებში—პარკული სავანა, დელტასა და ჭალებში—ტროპ. ჭაობი. კ-ის ცხოველთა სამყარო ეთიოპიის ოლქის სამხრ. აფრიკის ქვეოლქს ეკუთვნის. ცხოველები მხოლოდ ნაკრძალებშია შემორჩენილი. კ-ში ცხოვრობენ უმთავრესად ბუშმენები, მათი ძირითადი საქმიანობაა ნადირობა, შემგროვებლობა. კ-ს სამხრ. ნაწილში სასაქონლე მეცხოველეობისა და სარწყავი მიწათმოქმედების კერებია.

კალბაიოგი (Calbayog), ქალაქი და ნავსადგური ფილიპინებზე, კ. სამარის დს. სანაპიროზე. 106,8 ათ. მცხ. (1970). სას.-სამ. რ-ნის (ბრინჯი, კოპრი) სავაჭრო და თევზსაჭერი ცენტრი.

კალგინი ანატოლი ნიკოლოზის ძე [20. IV (2. V). 1875, ვლადიკავკაზი, ახლანდ. ორჯონიკიძე, — 27. III. 1943, თბილისი], საბჭ. არქიტექტორი. დაამთავრა პეტერბ. სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1900). 1907-იდან ცხოვრობდა თბილისში. 1922-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (იმავე წლიდან პროფესორი). კ-მა თავისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირა ქართ. კულტ.-სამეცნ. საქმიანობას. 1907 მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის ექსპედიციაში არტაანის, ოლთისისა და ყაღიზმანის ოლქებში, სადაც აზომა ტაოსკარის, კალმახის, ბობოსგირის, კერკლუხის, კინეპოსის ეკლესიები, ოლთისის ეკლესია და ციხის მღვიმეთა დარბაზები, ფანასკერტის ციხე, ჩანგლის დიდი ტაძარი და სხვ. აგრეთვე ქართ. ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი ბანის ტაძარი, რ-ის რეკონსტრუქციის საკუთარი ვარიანტიც შეადგინა. 1917 კ. კვლავ ე. თაყაიშვილის ექსპედიციაში მუშაობდა ტაო-კლარჯეთში. მისი ანაზომები ერთადერთი გრაფ. დოკუმენტია X—XI სს. შესანიშნავი ძეგლებისა — ოშკის, ხახულის, იშხნისა და სხვ. შესასწავლად. კ. შემოქმედებით მუშაობასაც ეწეოდა. მთავარი ნამუშევარია თბილ. სათავადაზნაურო ბანკის შენობა (ახლანდ. რესპ. საჯარო ბ-კა, 1912—16, მხატვარ ჰ. ჰრინევსკისთან ერთად), რ-იც ქართ. ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია, აგრეთვე ზემო ავჭალის ჰესი (ზაჰესი, 1927, კ. ლეონტიევთან და მ. მაჭავარიანთან ერთად) და სხვ. *ვ. ბერიძე.*

კალდაჰვარა, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში, მდ. ბზიფის მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ამფარაარხუ, ახვაჯა, აჯახუ, ძირფხარა). ზ. დ. 100 *მ*, გუდაუთიდან 27 *კმ*, მიუსერიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). ბზიფის ხეტყის სახერხი ქ-ნა. საშ. სკოლა, სკოლა-ინტერნატი, 2 კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. შუა საუკ. ციხე.

კალდერა (ესპ. caldera — დიდი ქვაბი), წრიული ან ოვალური ფორმის ვულკანური წარმოშობის ღრმული. აქვს ციცაბო ან საფეხურებიანი კედლები და თითქმის ბრტყელი ფსკერი. დიამეტრი 10—15 *კმ*, ზოგჯერ მეტიც, სიღრმე — რამდენიმე ასეული *მ*. განარჩევენ აფეთქებითსა და ჩაქცევით კ-ებს. პირველი წარმოიქმნება ვულკ. ყელში დაგროვილი აირების აფეთქებით, მეორე—დაცარიელებული მაგმური კერის სახურავზე გაჩენილი წრიული რღვევების გასწვრივ ხმელეთის ზედაპირის ჩაქცევით. ასეთი კ-ები უფრო დიდია და უფრო ხშირად გვხვდება.

კალდერონ დე ლა ბარკა (სრული გვარი კალდერონ დე ლა ბარკა ენაო დე ლა ბარედა ი რიანიო, Calderon de la Barca Henao de la Bareda y Riaño) პედრო (17 I. 1600, მადრიდი, — 25. V. 1681, იქვე), ესპანელი დრამატურგი. დიდგვაროვანი ოჯახიშვილი. აღიზარდა მადრიდის იეზუიტთა კოლეგიაში. შემდეგ ალკალა-დე-ენარესისა და სალამანკის უნ-ტებში სწავლობდა სამოქალაქო და კანონიკურ სამართალს. მონაწილეობდა საომარ ლაშქრობებში; 1636-იდან იყო სანტიაგოს ორდენის რაინდი. 1651 მღვდლად ეკურთხა. 1653 ტოლედოს ეკლესიის, ხოლო 1666-იდან წმ. პეტრეს ძმობის წინამძღვარი გახდა. 1663 მეფის საპატიო კაპელანი იყო. ზოგიერთი ცნობით, წერა 13 წლისას დაუწყია, მაგრამ ცნობილი გახდა წმ. ისიდორეს დღესასწაულზე პოეტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ (1620—22), სადაც ლოპე დე ვეგას ქება დაიმსახურა. 1636 მიანიჭეს კარის დრამატურგის საპატიო წოდება. ამ პერიოდში ძირითადად წერდა პიესებსა და მუს. კომედიებს კარის თეატრისთვის და სას. პიესებს საეკლ. დღესასწაულებისთვის. 1682—91 გამოცემულ კ. დე ლა ბ-ს თხზულებების სრულ კრებულში გაერთიანდა მისი 120 კომედია, 80 აუტო, 20 ინტერმედია და სხვ. თხზულებები, რ-თა სია თავადვე შეუდგენია 1680. ამის გარდა კ. დე ლა ბ-ს ეკუთვნის მცირე მნიშვნელობის მქონე პროზაული თხზულებები, ფერწერის ტრაქტატი, ტრაქტატი „კომედიის აპოლოგია" (დაკარგულია), რამდენიმე ლირ. ლექსი, 2 პოემა და სხვ.

კ. დე ლა ბ-ს შემოქმედებით მემკვიდრეობას თემატიკის მიხედვით ისტ., რელიგ., ფილოს., მითოლ., ყოფითი ჟანრის პიესებად ყოფენ, ხოლო ევოლუციის მიხედვით — 2 პერიოდად; პირველ პერიოდში ის მიჰყვებოდა ჰუმანისტურ ტრადიციას, მეორეში ძირითადად ქმნიდა რელიგ.-სიმბოლურ და მითოლ. დრამებს; მიღებულია უფრო დაკონკრეტებულ პერიოდებად დაყოფაც: პირველი, 20-იანი წლები ერთგვარად შეგირდობის პერიოდადაა მიჩნეული, როდესაც კ. დე ლა ბ. აგრძელებდა ლოპე დე ვეგას ტრადიციებს, ქმნიდა ინტრიგის კომედიებს [„სიყვარული, პატიოსნება და უფლება" (1623, გამოქვეყნდა 1637), „ცრუ ვარსკვლავთმრიცხველი" (1624, გამოქვეყნდა 1637), „ბრედის ალყა" (1625, გამოქვეყნდა 1636) და სხვ.]; მეორე, ე. წ. „სინთეზურ" პერიოდში დრამატურგი უმთავრესად ისწრაფოდა ფართო განზოგადებისკენ, სვამდა რთულ მორალურ-ეთიკურსა და ფილოს. პრობლემებს, ერთ ნაწარმოებში აერთიანებდა რამდენიმე სიუჟეტურ და იდეურ თემას; ამ პერიოდის ტიპურ პიესებში „სტოიკოსი უფლისწული" (1628—29, გამოქვეყნდა 1636), „ცხოვრება სიზმარია" (1631—32, გამოქვეყნდა 1636), „ჯვარის თაყვანისცემა" (1630), „სიყვარულს არ ეხუმრებიან" (1632), „წმ. პატრიკის სალხინებელი" (1634) და სხვ. სრულად გამოიკვეთა დრამატურგის მსოფლაღქმა, ფილოს. მრწამსი, ვნებების, მოვალეობისა და პატიოსნების ღრმა ანალიზი; მესამე, ე. წ. „ანალიზურ" პერიოდში მან კვლავ შეინარჩუნა მრავალპლანიანობა, ფილოს. სიღრმე და, ამასთან, წინა პლანზე წამოსწია გმირის ხასიათის ერთი რ-იმე თვისება, ერთი ფილოს. თემა. ამ პერიოდის პიესებიდან აღსანიშნავია „თავისი პატიოსნების მკურნალი" (1635, გამოქვეყნდა 1637), „სალამეელი ალკალდი" (1640—45, გამოქვეყნდა 1651) და სხვ. ბოლოს კ. დე ლა ბ. უმთავრესად წერდა პიესებს კარის დღესასწაულებისთვის, რ-ებიც სრულდებოდა მუსიკისა და ცეკვების თანხლებით. კ. დე ლა ბ., როგორც ბაროკოს ეპოქის ტიპობრივი წარმომადგენელი პოეტი, ყველაზე სრულად გამოვლინდა რელიგ.-ალეგორიულ დრამებში *აუტოს* საკრამენტალეს, რ-ებსაც მან კლასიკური ფორმა მიანიჭა („ბალთაზარის ნადიმი"; „მისტიკური და ნამდვილი ბაბილონი", 1662; „საყაროს უდიდესი თეატრი", 1645; „ცხოვრება სიზმარია" და სხვ.).

კ. დე ლა ბ. თავისი შემოქმედებით კულტერანიზმისკენ (იხ. *გონგორიზმი*) იხრება და რეალიზმს უპირისპირდება. მის ნაწარმოებებში აირეკლა რენესანსული იდეალების კრიზისი, სამყაროს ტრაგიკული დისჰარმონია, შეურიგებელი წინააღმდეგობანი. მისი შემოქმედება მოწყვეტილია მიწიერ ცხოვრებას; პოეტი ქმნის იდეალურ სამყაროს, რელიგ.-მისტიკურ პლანში გადააქვს ისტ. ფაქტები, პატრიოტიზმის იდეებიც კი. ადამიანთა დამოკიდებულებაში სიყვარული, მეგობრობა მოკლებულია უშუალობას, გულწრფელობას. პერსონაჟებს ალეგორიული ხასიათი აქვთ. მათი განცდები აბსტრაქტულია.

კ. დე ლა ბ-ს დრამატურგიული ტექნიკა დიდი ორიგინალობით გამოირჩევა; პიესის სტრუქტურა მკაცრადაა მოფიქრებული, სცენები გარკვეული რიტმით მიჰყვება ერთმანეთს; კულმინაცია ზედმიწევნითაა შემზადებული და კვანძი მოულოდნელად არ იხსნება. თავისებურადაა აგებული ექსპოზიციაც; დიდი ყურადღება ეთმობა წანამძღვარს, რ-იც წინასწარ მოხაზავს მოქმედ პირთა ხასიათებს; ექსპოზიციას ხშირად ავსებს ვრცელი თხრობა. აღსანიშნავია მუსიკის თავისებური აკომპანემენტიც; მსჯელობთა მეტყველებას ერთვის და ავრცობს გალობა სცენის მიღმა. ხშირად გამოყენებულია ცეკვებიც.

კ. დე ლა ბ-ს ენა, განსაკუთრებით შემოქმედების II პერიოდში, ერთობ დახვეწილია, სტილი ამაღლებული, მანერული. იგი უხვად იყენებს ჰიპერბოლებს, ანტითეზებს, მეტაფორებს, შედარებებს; პათეტიკა განსაკუთრებით შეიმჩნევა მონოლოგებში.

კ. დე ლა ბ-ს დრამატურგიული ნაწარმოებები დიდად პოპულარული იყო ავტორის სიცოცხლეშივე; მისი პიესები თარგმნილია და იდგმება მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენებზე. ქართ. ენაზე თარგმნილია კ. დე ლა ბ-ს პიესა „თავისი თავის დარაჯი" (1950, დაიდგა ჭიათურის თეატრში; *რეჟ.* პ. ფრანგიშვილი).

თხზ.: Obras completas, v. 1—3, Madrid, 1959; Соч., пер. и вступ. ст. К.Д. Бальмонта, в. 1—3, М., 1900—12; Пьесы, предисл. Н. Б. Томашевского, т. 1—2, М., 1961; თავისი თავის დარაჯი, თბ., 1970.

ლიტ.: Артамонов С. Д., Самарин Р. М., История зарубежной литературы XVII века, 2 изд., М., 1963; Балашов Н. И., Религиозно-философская драма Кальдерона и идейные основы барокко в Испании, კრ.: XVII век в мировом литературном развитии, М., 1969; История западноевропейского театра, т. 1, М., 1956; Valbuena Briones A., Perspectiva critica de los dramas de Calderon, Madrid, [1965].

მ. ტიტვინიძე.

კალე (Calais), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. საფრანგეთში, პა-დე-კალეს სრუტის ნაპირზე, პა-დე-კალეს დეპარტამენტში. 78,8 ათ. მცხ. (1975). საერთაშ. მნიშვნელობის საგრანსპ. კვანძი. კ-ზე გადის დიდ ბრიტანეთთან (დოვრი) დამაკავშირებელი საზღვ. გზა. თევზჭერისა და სავაჭრო ცენტრი. მეტალ., გემთსარემონტო, ელექტროტექ., ქიმ. მრეწვ. საწარმოები. მაქმანებას, ტიულის, ნაქარგების ძველისძველი წარმოება.

ადრე მეთევზეთა სოფელი, IX ს. დამლევსა და X ს-ში კ. ქალაქად იქცა. XIII ს-იდან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის ვაჭრობაში. ასწლიანი ომის დროს ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ 1347 აიღეს ინგლისელებმა. 1558 დაიკავა ჰერცოგმა ფრანსუა გიზმა და საფრანგეთს შეუერთა. 1559 კატო-კამბრეზის ზავით საფრანგეთს დარჩა.

კალედინელობა, კალედინშინა, კონტრრევოლუციური ამბოხება დონის ოლქში (1917 ოქტ.—1918 თებ.). 1917 ოქტ. რევ. დროს ა. *კალედინი* დაუკავშირდა



გ. კალაძე. ქალის ტორსი. თაბაშირი. 1963. ავტორის საკუთრება.

კ. კალაძე.

ნ. კალაძე.

ა. კალგინი მხატვარ ჰ. ჰრინევსკისთან ერთად. რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკა. გალერეა „ინტერიერი". 1912—16. თბილისი.



კალდერონ დე ლა ბარკა.

უკრ. ცენტრ. რადას, ყუბანის, თერგისა და ორენბურგის კაზაკთა სამხ. მთავრობებს და მიზნად დაისახა საბჭ. ხელისუფლების დამხობა და რუს. დროებითი კონტრრევ. მთავრობის შექმნა. ამბოხებას პოლიტ. ხელმძღვანელობას უწევდა კადეტთა პარტია. კ-ის მიზანი იყო კონტრრევ. ერთიანი ფრონტის შექმნა, რ-იც გაიყლიდა ორენბურგიდან ურალისა და ასტრახანის კაზაკობის ტერიტორიაზე დონის როსტოვამდე, მოწყვეტდა ცენტრ. რუსეთს სურსათით და ნედლეულით მდიდარ სამხრ. რ-ნებს და „ჯვაროსნული ლაშქრობით" დაიძრებოდა პეტროგრადისა და მოსკოვისაკენ. 1917 წ. 25 ოქტ. (7 ნოემბ.) კალედინმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს დროებით მთავრობას და მის აღდგენამდე თვითონ აიღო სრული ძალაუფლება დონის ოლქში. დონზე შეიკრიბა კონტრრევ. ძალები (1917 ნოემბ-ში აქ ჩამოვიდნენ კადეტთა ლიდერები პ. მილიუკოვი და პ. სტრუვე; ესერების ლიდერი ბ. სავინკოვი, მონარქისტების ლიდერი მ. როძიანკო და სხვ.). „კალედინის ირგვლივ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჯგუფდებიან რუსეთის ყველა კუთხიდან თავმოყრილი მემამულური და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ელემენტები" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 26, გვ. 487). გენერლებმა მ. ალექსეევმა, ლ. კორნილოვმა, ა. დენიკინმა კალედინის დახმარებით დაიწყეს მოხალისეთა არმიის ჩამოყალიბება. 1917 დეკ-ში ნოვოჩერკასკში შეიქმნა ხელმძღვანელი კონტრრევ. ცენტრი („ტრიუმვირატი" — ალექსეევი-კორნილოვი-კალედინი). აშშ-ის, ინგლ. და საფრ. მთავრობებმა გამოყვეს ფულადი სახსრები და ნოვოჩერკასკში გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. 1917 ნოემბ-ის დამლევს კალედინმა დაიწყო შეტევა დონის როსტოვის მიმართულებით. 2 (15) დეკ. 7-დღიანი ბრძოლების შემდეგ კონტრრევოლუციონერებმა დაიკავეს დონის როსტოვი. ამბოხებამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭ. რესპუბლიკას. 25 ნოემბ. (8 დეკ.) სახკომსაბჭომ მოწოდებით მიმართა მშრომელ კაზაკობას გამოსულიყო კ-ის წინააღმდეგ. შეიქმნა სამხრეთის რევ. ფრონტი ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს სარდლობით. 1917 წ. 25 დეკ. (1918 წ. 7 იანვ.) საბჭ. ჯარმა დაიწყო შეტევა. 24—25 თებ. რევ. ჯარებმა მშრომელი კაზაკობისა და მუშების მხარდაჭერით გაათავისუფლეს როსტოვი და ნოვოჩერკასკი. ამბოხება დამარცხდა. 1918 წ. 29 იანვ. (11 თებ.) კალედინმა სამხ. მთავრობის სხდომაზე უარყო თავისი უფლებამოსილება და იმავე დღეს თავი მოიკლა. დონზე შეიქმნა დონის საბჭოთა რესპუბლიკა რსფსრ-ის შემადგენლობაში. ვ. ი. ლენინი კ-ის ლიკვიდაციას განიხილავდა როგორც სამოქალაქო ომის დროს პირველ გამარჯვებას კონტრრევოლუციაზე.

კალედინი ალექსი მაქსიმეს ძე [12 (24). X. 1861, სტანიცა უსტ-ხოპიორსკაია, ახლანდ. ვოლგოგრადის ოლქი, — 29. I (11. II). 1918, ნოვოჩერკასკი], დონის კაზაკთა კონტრრევოლუციის მეთაური 1917—18, კავალერიის გენერალი (1917). თავადაზნაურთა წრიდან იყო. 1889 დაამთავრა გენშტაბის აკადემია. I მსოფლიო ომის დროს სარდლობდა მე-12 საარმიო კორპუსს, შემდეგ სამხრ.-დას. ფრონტის მე-8 არმიას. 1917 წ. 17(30) ივნისს აირჩიეს დონის ჯარის ატამანად, სათავეში ჩაუდგა კონტრრევ. ჯარის მთავრობას (იხ. *კალედინელობა*).

კალედონიური დანაოჭება (შოტლანდიის ლათ. სახელწ. Caledonia-ს მიხედვით), ქვედა პალეოზოურ დროში გამოვლინებული *დანაოჭება*. ტერმინი ფრანგ გეოლოგ მ. ბერტრანს ეკუთვნის. კ. დ-ის შედეგად ევროპასა და აზიაში წარმოიქმნა ნაოჭა სისტემები — კ ა ლ ე დ ო ნ ი დ ე ბ ი, მათვე განეკუთვნება ტასმანიის, ავსტრალიის (მაკდონელის და ფლინდერზის მთები), ჩრდ. და აღმ. გრენლანდიის, ნიუფაუნდლენდისა და ჩრდ. აპალაჩების ნაოჭა სისტემებიც. კ. დ-ის ნიშნები ვლინდება უფრო ახალგაზრდა ნაოჭა სისტემებშიც (ურალი, აღმ. ალასკა, ცენტრ. და ჩრდ. ანდები, ბრეტანი, არდენები და სხვ.). კ. დ-ის მთავარი ფაზისებია: სალაირული (კამბრიულის ბოლოს), ტაკონური (ორდოვიციულის ბოლოს), არდენული (სილურულში) და ერიული (სილურულის ბოლოს). *ო. ხუციშვილი.*

„კალევალა" („Kalevala"), კარელურ-ფინური ხალხური ეპოსი, ეპიკური, საქორწილო და შელოცვის ტექსტების კრებული. შეადგინა ფინ. მეცნიერმა ე. ლენროტმა კარელური, იჟორული, ფინ. რუნების საფუძველზე, რ-ებიც ჯერ კიდევ გვაროვნ. წყობილების დროს შეიქმნა. მოგვიანებით ძვ. ბალტიისპირელ და ფინელ ტომთა ეპოსის საფუძველზე განვითარდა კარელების ეპოსი. 32 რუნისაგან შემდგარი პირველი კომპოზიცია გამოქვეყნდა 1835, მეორე (50 რუნა) — 1849. „კ-ს" 100 წლისთავთან დაკავშირებით ო. კუუსინენმა შეადგინა ეპოსის ახ. კომპოზიცია.

დროთა განმავლობაში „კ-ში" ზღაპრულ-ჰეროიკული სიუჟეტების გვერდით გაჩნდა შრომითი სიმღერების მოტივები, ხალხის ყოფისა და ჩვეულების ამსახველი რეალისტური სურათები. „კ." თარგმნილია სსრკ და მსოფლიოს ხალხთა ენებზე, მ. შ. ქართულად (1969, 1977).

„კალევიპოები", ესტონური ეროვნული ეპოსი. შეიქმნა დეგვმინ კალევიპოეგის შესახებ გავრცელებული უძველესი თქმულებების საფუძველზე. თქმულებების შეგროვება წამოიწყო მწერალმა ფ. ფელმანმა, თვით ეპოსი კი ერთიან სიუჟეტურ ქარგაზე ააგო და ესტ. ხალხ. სიმღერის სალექსო საზომით გააწყო მწერალმა ფ. კრეიცვალდმა (გამოქვეყნდა 1857—61). „კ-ის" ბოლო ეპიზოდები მოიცავს XIII ს. დასაწყისის ამბებს, როცა ესტონეთში ჯვაროსნები შემოიჭრნენ. „კ-მა" მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ესტ. ეროვნ. ლიტ-რის ჩამოყალიბებაში.

კალეიდოსკოპი (ბერძნ. kalos — ლამაზი, eidos — სახე და skopeō — ვუყურებ, ვაკვირდები), 1. მილი, რ-ის შიგნით (სიგრძის გასწვრივ) განლაგებულია 3 სარკული ფირფიტა ერთმანეთისადმი 60°-იანი კუთხით. მილის ერთი ბოლო დახურულია მქრქალი მინით, რ-ზედაც დაყრილია სხვადასხვა ფერის მინის ნამსხვრევები (ისინი მილის დანარჩენი სივრცისაგან გამოყოფილია გამჭვირვალე მინით), მეორე ბოლო კი — მრგვალხვრელიანია და სახურავი აქვს. კ. გამოიგონა ინგლ. ფიზიკოსმა დ. ბრიუსტერმა 1817.

2. გადატანითი მნიშვნელობით — მოვლენის, შთაბეჭდილებების, სახეებისა და სხვ. სწრაფი ცვლილება.

კალენდარი [ლათ. calendarium<Calendae (მრ. რ.), თვის პირველი დღე], დროის შედარებით ხანგრძლივ პერიოდებად (დღეღამეებად, კვირეებად, თვეებად, წელიწადებად, საუკუნეებად) დანაწილებისა და აღრიცხვის სისტემა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საისტორიო გამოკვლევებში გამოსაყენებლად. აღნიშნული პერიოდები, ანუ დროის შუალედები, განისაზღვრება ცის სხეულთა მოძრაობებით (მზის ამოსვლა-ჩასვლა, წელიწადის დროთა ცვლა, მთვარის ფაზების მონაცვლეობა), რაც ადვილად და საყოველთაოდ შეიმჩნევა და უშუალოდ მოქმედებს ადამიანთა საქმიანობაზე. ყველა პერიოდს შორის უფრო გამოკვეთილი და ყოველდღიურ საქმიანობასთან ყველაზე მეტად დაკავშირებული დღე-ღამეა. უკანასკნელი განისაზღვრება დედამიწის ერთი მობრუნებით თავისი ღერძის ირგვლივ და, როგორც თითქმის უცვლელი პერიოდი, დროის საზომ ერთეულს წარმოადგენს. დიდი შუალედების გასაზომი ძირითადი ერთეულია *ტროპიკული წელიწადი*, რ-იც მზის ირგვლივ დედამიწის ერთი გარემოქცევით განისაზღვრება. იგი შედგება დღე-ღამეთა არა მთელი, არამედ წილადი რიცხვისაგან (365,2422 *დღ-ღ*, ანუ 365 *დღ-ღ* 5 *სთ*, 48 *წთ*, 46 *წმ*). დროის აღრიცხვის საქმეში ეს ქმნის ერთგვარ სიძნელეს, რის გამოც მიიჩნევენ, რომ წელიწადში დღეღამეების მთელი რიცხვია (365 ან 366). ასეთი ერთგვარად პირობითი წელიწადი სამოქალაქო წელიწადია. მისი ხანგრძლივობა საშუალოდ ტროპ. წელიწადის ტოლი უნდა იყოს, რათა წლების სამოქალაქო ანგარიში, ანუ წელთაღრიცხვა, არ დაშორდეს იმ ბუნებრივი მოვლენის (მზის ირგვლივ დედამიწის გარემოქცევის) პერიოდულობას, რ-საც უნდა ემყარებოდეს იგი. სამოქალაქო და ტროპ. წელიწადის ერთიმეორესთან დაახლოება და შეთავსება კ-ის, ანუ წელთაღრიცხვის, ისტორიული პრობლემაა, რ-საც ქმნის დროის საზომ ერთეულებად აღებული ორი პერიოდის — დღე-ღამისა და ტროპ. წელიწადის— უთანაზომობა.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული კ-ის (იხ. ქვემოთ) საწყისი მიეკუთვნება ძვ. წ. I ს., როცა იულიუს კეისარმა, ეგვ. ასტრონომის სოსიგენეს რჩევით, 45 წ. 1 იანვრიდან შემოიღო წელთაღრიცხვის სისტემა, რ-ის მიხედვით ყოველი მომდევნო სამი წელიწადის ხანგრძლივობა მიღებულ იქნა 365 *დღ-ღ*, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადისა (ნაკიანი წელიწადი) — 366 *დღ-ღ*. ამგვარად, წელიწადის საშ. ხანგრძლივობაა 365,25 *დღ-ღ*, რაც ძალიან ახლოა ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობასთან (365,2422 *დღ-ღ*). წელიწადის 12 თვედ დაყოფისას (ასეთი დაყოფა ადრეც იყო ცნობილი ძვ. რომში), ყოველ თვეში გარკვეული კანონზომიერებით 30 ან 31 *დღ-ღ* მოაქციეს, ხოლო თებერვალში — 28 (უბრალო წელიწადი) ან 29 (ნაკიანი წელიწადი). ნაკიან წელიწადად ჩაითვალა ყოველი ის წელიწადი, რ-ის რიგითი ნომერი 4-ზე იყოფა უნაშთოდ. იულიუსის კ. 325 ქრისტიანულმა ეკლესიამ ცნო, მაგრამ იგი საბოლოოდ VII ს-ში მოწესრიგდა. 4 წელიწადის მანძილზე დაგროვილი განსხვავება იულიუსის საშ. და ტროპიკულ წელიწადთა შორის უმნიშვნელოა (44 *წთ* და 56 *წმ*), საუკუნეების მანძილზე კი იგი იმდენად შესამჩნევი ხდება, რომ მისი უგულებელყოფა შეუძლებელია, რამდენადაც *ბუნიობისა* და *მზებუდობის* დღეები თანდათანობით ადრინდ. კალენდარულ რიცხვებზე მოდის. მაგ., IV ს-ში გაზაფხულის ბუნიობა 21 მარტს მოდიოდა, XVI ს-ში კი 11 მარტს. ამგვარად, იულიუსის წელთაღრიცხვა 10 *დღ-ღ* „ჩამორჩებოდა ბუნებას". ამან მოითხოვა იულიუსის წელთაღრიცხვის სისტემის რეფორმა, რ-იც განახორციელა რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ. მისი 1582 ბულის საფუძველზე დღეთა ანგარიში გადანაცვლებულ იქნა 10 დღით: 4 ოქტ. მომდევნო დღე გამოცხადდა 15 ოქტომბრად. ამის შემდეგ გაზაფხულის ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა. ამავე რეფორმით ის წელი, რ-ის საუკუნეების რიცხვი მთელია, მაგრამ 4-ზე უნაშთოდ არ იყოფა (წლების რიცხვი კი იყოფა), არ ჩაითვალა ნაკიანად (ნაკიანია 1600, 2000, 2400 წწ. და ა. შ., ნაკიანი არ არის 1700, 1800, 1900, 2100 წწ.). ამ წესის განსორციელება კიდევ უფრო მეტად აახლოებს სამოქალაქო წელთაღრიცხვას წელთა ბუნებრივ მიმდინარეობასთან. თუ იულიუსის კ-ში სამი დღე-ღამის ცდომილება გროვდებოდა ყოველ 4 საუკუნეში, გრიგორიანულ კ-ში ერთი დღე-ღამის ცდომილება 3300 *წ* მანძილზე დაგროვდება. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ კ-ის პრობლემა გადაწყვეტილია. გრიგორიანულ კ-ს უწოდებენ წელთაღრიცხვას ა ხ ა ლ ი ს ტ ი ლ ი თ. პირველად იგი შემოიღეს XVI ს. 80-იან წლებში იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში. პოლონეთში, საფრანგეთში, უნგრეთსა და ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში, უფრ ო გვი-

ან — გერმანიაში (XVII—XVIII სს.), ინგლისში (XVIII ს.), იაპონიაში (XIX ს.). რევ. წინადროინდელ რუსეთში ახ. სტილი არ იყო შემოღებული. იგი შემოიღეს დიდი ოქტ. რევ. შემდეგ 1918 წ. 24 იანვრის დეკრეტით. ამ დროისათვის იულიუსის კ. 13 დღ-ღ „ჩამორჩებოდა", ამიტომ 1 თებერვალი 14 თებერვლად გამოცხადდა. ამით აიხსნება ის, რომ 1917 ძვ. სტილით 25 ოქტ. მომხდარ დიდ რევოლუციას ახალი სტილით 7 ნოემბერს ვდღესასწაულობთ. კვირის დღეები ორივე კ-ში ერთიმეორეს ემთხვევა. ამჟამად მსოფლიოს ყველა განვითარებულ სახელმწიფოში გრიგორიანულ კ-ს ხმარობენ.

ბევრ ქვეყანაში, უმთავრესად აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში (ერაყში, ლიბანში, სირიაში, ალჟირში, მაროკოში, ტუნისში და სხვ.), ხმარობენ მთვარის ფაზებზე დაყრდნობილ, ე. წ. მთვარისმიერ კ-ს — ჰიჯრას, რ-ის მიხედვით მთვარისმიერი წელიწადი შეიცავს 30- და 29-დღეღამიან 12 თვეს (354 დღ-ღ). ყოველი თვის პირველი დღე უნდა ემთხვეოდეს ახალმთვარეობას. რადგანაც მთვარისმიერი წელიწადი 11 დღე-ღამით მზისიერ წელიწადზე მოკლეა, ეს ართულებს თარიღების გაიგივებას ამ ორ კ-ში. კიდევ უფრო რთულია მთვარე-მზისიერი კ., რ-იც ითვალისწინებს მზის ხილული წლიური მოძრაობის შეთავსებას მთვარის ფაზების მონაცვლეობასთან, ძველად ასეთ კ-ს ხმარობდნენ ბაბილონში, ჩინეთში და სხვ. მთვარისმიერი კ. უფრო ძველია, უფრო ადრინდელი ისტორიის კუთვნილებაა, რადგანაც მთვარის ფაზების მონაცვლეობის შემჩნევა უფრო ადვილია, ვიდრე მზის ირგვლივ დედამიწის გარემოქცევით გამოწვეული სეზონური ცვლილებებისა.

ტრადიციულსა და კონსერვატორულ კ-ს უპირისპირდება ტენდენცია შემოღებულ იქნეს ერთიანი მსოფლიო კ., რ-ის როლს ამჟამად გრიგორიანული კ. ასრულებს, თუმცა მასაც აქვს ზოგიერთი ფორმალური ნაკლი (თვეების არათანატოლი ხანგრძლივობა, მათ რიცხვებსა და კვირის დღეებს შორის შეუთანხმებლობა და სხვ.). კაცობრიობის ისტორია არ იძლევა იმის პასუხს, თუ ზუსტად როდის დაიწყო დროის აღრიცხვისათვის დღე-ღამეზე უფრო ხანგრძლივი ერთეულის გამოყენება. კვირაც უხსოვარი დროიდან შემოიღეს. მისი ხანგრძლივობა განაპირობა მთვარის თვის 4 ნაწილად დაყოფამ, აგრეთვე იმ ფაქტმა, რომ რიცხვი 7 მისტიკური მნიშვნელობისა იყო, ამასთან, იგი გამოხატავდა ცაზე ყველაზე კაშკაშა პლანეტების და მზისა და მთვარის საერთო რიცხვსაც.

ძველად (მაგ., რომში) წლებს ანგარიშობდნენ სხვადასხვანაირად (მაგ., იმპერატორების მმართველობის საწყისებიდან). წლების ახლანდ. ანგარიშის, ანუ მათი „დანომვრის", საწყისია ლეგენდური „ქრისტეს დაბადების" დღე, რ-იც დაახლ. 20 საუკუნის წინ ყოფილა. ამ საწყისიდან წარმოებულ წელთაღრიცხვას ჩვენს ერას ან ახალ წელთაღრიცხვას ვუწოდებთ. ისტორიულ ამბებზე, რაც ამ საწყისამდე მომხდარა, მივუთითებთ, როგორც ძველად მომხდარს და წლებს ვანგარიშობთ იმავე საწყისიდან, მათ მატებას კი— შებრუნებული მიმართულებით (მაგ., არისტოტელე ცხოვრობდა ჰიპარქეზე ადრე: პირველი IV ს-ში, მეორე — II ს-ში ძვ. წ.).

ასტრონომიაში სპეც. მიზნებით იხმარება სხვა აღრიცხვაც: დღეების თანამიმდევრული ანგარიში ძვ. წ. 4713 წლის 1 იანვრის შუალედიდან. ასე ათვლილ დღე-ღამეებს იულიუსის დღეები ეწოდება, თუმცა ამას არა აქვს რაიმე საერთო იულიუსის კ-თან. 1970 წ. 1 იანვარს ემთხვევა 2440588 იულიუსის დღე-ღამე, 1980 წ. 1 იანვარს — 2444240.

ლიტ.: Володомонов Н. В., Календарь: прошлое, настоящее, будущее, М., 1974; Селешников С. И., История календаря и хронология, 2 изд., М., 1972.

ე. ხარაძე.

კალენდარი ქართული. უძველეს დროში ქართველები მთვარის კ-ით სარგებლობდნენ. ამ კ-ით წელიწადში 354 დღე-ღამეა. შემდეგში (ძვ. წ. V, სხვა მოსაზრებით, I ს.) მთვარის კ. შეცვალა მზის კ-მა, რ-ის მიხედვით წელიწადი 365 დღე-ღამისაგან შედგებოდა. ძვ. წ. I ან ახ. წ. I ს-ში შემოიღეს ნაკიანი წლების სისტემა, რ-ის თანახმად კალენდარული წელიწადი შედგებოდა 30-30-დღეღამიანი 12 თვისაგან. მეთორმეტე თვის ბოლოს მოდიოდა ჩვეულებრივ წელიწადში 5, ხოლო ნაკიანში— 6 დამატებითი დღე (ეპაგომენები). (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ახალი წელი იულიუსის კ-ის მიხედვით აგვისტოს თვეში იწყებოდა. ასეთ წელიწადს აგვისტოს სტილის წელიწადი ეწოდება. ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდეგ აგვისტოს სტილის წელიწადი თანდათანობით იცვლება სექტემბრის სტილის წელიწადით, რ-ითაც ახ. წელი 1 სექტ. იწყება და რ-იც განმტკიცდა VII—VIII სს-ში. ამ დროიდან შემოდის თვეთა რომაული სახელებიც (ე. ი. ის სახელები, რ-თაც ახლა ვხმარობთ), თუმცა პარალელურად ძვ. ქართ. სახელებსაც ხმარობდნენ. VIII—IX სს. მიჯნაზე შემოდის მარტის სტილის წელიწადი, ხოლო X ს-იდან— იანვრის სტილის წელიწადი, რ-იც ბატონდება XIII—XIV სს-ში. საქართველოში ერთდროულად სხვადასხვა სტილის წელიწადს იყენებდნენ. წლების აღსარიცხავად გამოყენებული იყო სხვადასხვა სისტემა: ირან. შაჰების, ბიზანტ. კეისრებისა და გაერთ. საქართველოს მეფეთა მეფობის წლები; არსებობდა სხვადასხვა *რელიგიური ერა* ანუ წელთაღრიცხვის სისტემა (ერა ქვეყნის შექმნიდან, ქრისტეს დაბადებიდან, ჯვარცმა-აღდგომიდან, ქორონიკონული ერა). ქვეყნის შექმნის ერებიდან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო 5604-წლიანი ქართული და 5508-წლიანი ბიზანტიური ერა, რ-თა მიხედვით თითქოს ღმერთის მიერ ქვეყნის შექმნიდან ჩვენი ერის დასაწყისამდე 5604 ან 5508 წელიწადი გავიდა. ქორონიკონული ერა და მასთან ერთად მარტის სტილის წელიწადი VIII—IX სს. მიჯნაზე შემოვიდა. ეს იყო წელთაღრიცხვა 532-წლიანი ციკლით. 532-წლიან პერიოდს მოქცევა ეწოდებოდა. 5604 წლიანი ერით ახ. წ. 780 დამთავრდა მე-12 მოქცევა და 781 დაიწყო მე-13 მოქცევა, რ-იც დამთავრდა 1312; 1313 დაიწყო მე-14 მოქცევა, რ-იც დამთავრდა 1844. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში მე-13 მოქცევაზე ადრინდელი დათარიღება არ მოიპოვება. 1918-მდე საქართველოში ხმარობდნენ იულიუსის კ-ს. გრიგორიანული კ. შემოღებულ იქნა 1918 წ. 1 მაისიდან (1918 წლის 18 აპრილი გამოცხადდა 1 მაისად).

ლიტ.: ინგოროყვა ა., ძველ-ქართული წარმართული კალენდარი V—VIII ს. ძეგლებში, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1931—33, ტ. 6—7; კეკელიძე კ., ძველი ქართული წელიწადი, მის წგნ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956.

ვ. გუჩუა.

კალენდები (ლათ. Calendae ან Kalendae), ყოველი თვის პირველი დღის სახელწოდება ძვ. რომაული კალენდრით. როგორც ნონებითა და იდებით (შესაბამისად მე-7 და მე-15 დღე მარტში, მაისში, ივლისსა და ოქტომბერში, ხოლო მე-5 და მე-13 დღე დანარჩენ თვეებში), კ-ითაც თვეების დღეებს აღრიცხავდნენ; ითვლიდნენ ამ დღეებიდან უკან, მაგ., „მე-5 დღე მარტის კ-ის წინ", „მე-4 დღე მარტის იდების წინ" და სხვ.

გამოთქმა „ბერძნულ კალენდებამდე" (ad Calendas Graecas— გაურკვეველი ვადით) აღნიშნავდა დროს, რ-იც არასდრეს დადგებოდა, რადგანაც კ-ს მხოლოდ ძვ. რომაულ კალენდარში ხმარობდნენ.

კალესნიკი სტანისლავ ვიკენტის ძე [10 (23). I. 1901, პეტერბურგი, — 13. IX. 1977, ლენინგრადი], საბჭ. გეოგრაფი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1968). სკკპ წევრი 1943-იდან. 1929 დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი. იყო ლენინგრ. უნ-ტის ფიზ. გეოგრ. კათედრის გამგე (1950-იდან). სსრკ მეცნ. აკად. ტბათმცოდნეობის ინ-ტის დირექტორი (1955-იდან). კ-ის მთავარი შრომები შეეხება ზოგადი დედამიწისმცოდნეობის, ლანდშაფტმცოდნეობისა და გლაციოლოგიის თეორ., აგრეთვე ცენტრ. ტიან-შანისა და ჯუნღარის ალათაუს გეომორფოლ. საკითხებს. სსრკ გეოგრ. საზ-ბის პრეზიდენტი (1964-იდან). საერთაშ. გეოგრ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1968—72). კრაკოვისა და ფინეთის (ტურკუ) უნ-ტების საპატიო დოქტორი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით. კ-ის სახელი ეწოდა მყინვარებს იმიერილისა და ჯუნღარის ალათაუში, პოლარულ ურალში.

თხზ.: Общая гляциология, Л., 1939; დედამიწის ზოგადი გეოგრაფიული კანონზომიერებანი, თბ., 1977; ზოგადი დედამიწისმცოდნეობის მოკლე კურსი, თბ., 1965.

კალვათა, სოფელი საჩხერის რ-ნში (საირხის სოფსაბჭო), მდ. ყვირილის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 500 *მ*, საჩხერიდან 2 *კმ*. საირხის ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ქორეთში (3 *კმ*). ბ-კა.

1938 სოფლის ტერიტორიაზე იპოვეს ძვ. წ. X—VIII სს. განძი — 6 ბრინჯაოს თოხი, 2 კოლხური ცული და ბრინჯაოს ზოდები. განეკუთვნება კოლხურ კულტურას. დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

კალვინი (Calvin, ლათინიზებული Calvinus, ფრანგ. Cauvin — კოვენი) ჟან (10. VII. 1509, ნუაიონი, საფრანგეთი, — 27. V. 1564, ჟენევა), *რეფორმაციის* მოღვაწე, *კალვინიზმის* დამაარსებელი. მიიღო თეოლ. და იურიდ. განათლება. მ. *ლუთერის* ქადაგებათა გავლენით 1533 განუდგა კათოლ. ეკლესიას. 1534 საფრანგეთში პროტესტანტების დევნის გაძლიერების გამო ბაზელში გაიქცა. აქ 1536 გამოვიდა მისი მთავარი თხზულება „ქრისტიანული სარწმუნოების დარიგებანი" (ჯერ ლათ., შემდეგ ფრანგ. ენებზე), რ-შიც ჩამოყალიბებულია ახ. მოძღვრების პრინციპები. იმავე 1536 კ. ჩავიდა ჟენევაში, მაგრამ რეფორმაციის მოღვაწეებთან დავის გამო გაასახლეს ჟენევიდან და 1538 სტრასბურგში გაემგზავრა. 1541 დაბრუნდა ჟენევაში და პროტესტანტიზმის ახ. მიმართულების— კალვინიზმის მეთაური გახდა. კ-ის გავლენით ჟენევის მაგისტრატმა მიიღო საეკლ. ორგანიზაციის ახ. ფორმა, რ-იც ზოგიერთი ვარიაციით სხვა ქვეყნების კალვინისტურმა თემებმაც გადაიღეს. კ-მა „საერო ასკეტიზმის" დასამკვიდრებლად კონსისტორიის (რ-იც ხელმძღვანელობდა ეკლესიას, მაგრამ ფაქტობრივად საერო ხელისუფლებასაც განაგებდა) დახმარებით გაატარა რეფორმები — გააუქმა მდიდრული კათოლ. კულტი, მოქალაქეებზე დააწესებინა მეთვალყურეობა, სავალდებულო გახადა საეკლ. ღვთისმსახურებაზე დასწრება; აკრძალა გართობა, ცეკვები, ნათელი ფერის ტანსაცმელი და ა. შ. კ-ის მოძღვრების მოწინააღმდეგენი იდევნებოდნენ, ისჯებოდნენ სიკვდილით (1553 მ. *სერვეტის* დაწვა) და სხვ. სასჯელით.

თხზ.: Opera selecta, ed. P. Barth, Bd. 1, 3—5, Münch., 1926—36.

კალვინიზმი (Calvinisme), პროტესტანტული რელიგიური მოძღვრება, რ-იც შექმნა ჟ. *კალვინმა*. მიმართული იყო როგორც კათოლიციზმის, ასევე სახ. რეფორმაციის წინააღმდეგ. კ-ის თანახმად, რწმენის ერთადერთ წყაროს და უმაღლეს ავტორიტეტს წარმოადგენს ბიბლია, სალვთო წერილი; მას უნდა შეესაბამებოდეს რელი-

კალ

კალენდარი

ძვ. ქართ. წარმართული კალენდრის თვეთა სახელები და მათი შესაბამისობა იულიუსის კალენდართან

I. ახალწლისა 6. VIII—4. IX
II. სთვლისა 5. IX—4. X
III. ტირისკნისი 5. X—3. XI
IV. ტირისდენი 4. XI—3. XII
V. აპანი, აპნისი 4. XII—2. I
VI. სარწყუნისი, სურწყუნისი 3. I—1. II
VII. მირკანი 2. II—3. III
VIII. იგრიკა 4. III—2. IV
IX. ვარდობისა 3. IV—2. V
X. მარიალისა 3. V—1. VI
XI. თიბისა 2. VI—1. VII
XII. ქველთობისა 2. VII—31. VII
XIII. ეპაგომენები 1. VIII—5 (6) VIII

ს. კალესნიკი.

ჟ. კალვინი.



კალიგრაფია. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის ხელნაწერი. გადამწერი „ბასილი უცბად მჩხრეკალი". XI ს. საქ. სსრ მეცნერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინტიტუტი. თბილისი.

გია, მორალი, პოლიტიკა, საეკლ. ორგანიზაცია. საზ-ბა და სახელმწიფო უნდა ექვემდებარებოდეს „ჭეშმარიტ" ეკლესიას (კალვინისტური თეოკრატიის პრინციპი). კ-ის საფუძველია ღვთაებრივი აბსოლუტური წინასწარგანსაზღვრის, ანუ ბედისწერის დოქტრინა, რ-ის თანახმად, ღმერთმა ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე განსაზღვრა ადამიანთა ბედი: ერთ ნაწილს, ე. წ. „რჩეულთ", ელით იმქვეყნიური ცხონება, საძოთხე, მეორე ნაწილს კი, ე. წ. „მისჯილთ", წაწყმედა, ჯოჯოხეთი. მაგრამ მოძღვრება ბედისწერაზე არ გულისხმობს ადამიანის პასიურ, ფატალისტურ მორჩილებას ბედისადმი. კ-ის „დოგმა შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოთხოვნებს" (ენგელსი ფ., ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, თბ., 1970, გვ. 17).

ჟენევაში, სადაც პირველად გაიმარჯვა კ-მა (1541), გაუქმდა საეკლ. იერარქია, უარი თქვეს ხატებზე, წმ. ნაწილებზე და ყველა საეკლ. მორთულობაზე; შემცირდა უქმე დღეთა რიცხვი, აიკრძალა საეკლ. მუსიკა. კ-ის მიხედვით, ღვთისმსახურება მდგომარეობს ბიბლიის კითხვაში, ფსალმუნების საერთო გალობაში და ქადაგებაში („იაფი ეკლესია"). ეკლესიაში საკურთხეველი შეიცვალა უბრალო მაგიდით, დატოვეს მხოლოდ 2 „საიდუმლო" — ნათლობა და ზიარება, რ-იც კალვინისტებს ესმით, „როგორც „ღმერთთან სულიერი კავშირის დამყარება", რ-ის დროს იესო ქრისტე „კვებავს მორწმუნეთა სულს". კალვინისტური საეკლ. ორგანიზაცია ძირეულად განსხვავდება კათოლ. ეკლესიის ორგანიზაციისაგან. მორწმუნეთა თემი ირჩევდა მოძღვარს, რ-საც არ ჰქონდა მღვდლის წოდება და ეწეოდა მხოლოდ სას. „სამსახურს". მას მინისტრი ეწოდებოდა. იგი ჩაცმულობითაც არ გაირჩეოდა ერისკაცთაგან. მინისტრის კანდიდატურას აყენებდა კონსისტორია (საეკლ. საბჭო), რ-მიც მინისტრების გარდა შედიოდნენ ერისკაცთა მამასახლისები — პრესვიტერები. მათ ირჩევდნენ ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ერისკაცნი, არსებითად სწორედ პრესვიტერები ხელმძღვანელობდნენ საეკლ. საქმეებს, ამიტომ კალვინისტურ ეკლესიას „პრესვიტერიანულსაც" უწოდებენ. კონსისტორია მკაცრ კონტროლს უწევდა მოქალაქეთა ზნეობრივ ყოფაქცევას, ინდივიდ. თავისუფლება და თავისუფალი აზრი სასტიკად იდევნებოდა.

ჟენევიდან XVI ს-ში კ. გავრცელდა შვეიცარიის კანტონებში, ინგლისში (იხ. *პურიტანები*), შოტლანდიაში, ნიდერლანდში, გერმ. ნაწილში (უმთავრესად რაინის ველებზე, განსაკუთრებით პფალცში), საფრანგეთში (იხ. *ჰუგენოტები*), უნგრეთსა და პოლონეთში. იქ, სადაც გაიმარჯვა კ-მა, კალვინისტური თემების საქმეებს მართავდნენ კონსისტორიები, ხოლო საეკლ. საკითხებს წყვეტდნენ კონგრეგაციები — მინისტრთა კრებები, რ-ებიც მოგვიანებით იქცნენ კალვინისტური თემების წარმომადგენელთა ადგილ. ყრილობებად და ეროვნ. სინოდებად. კ-ის საეკლ. ორგანიზაცია მისაღები და ხელსაყრელი აღმოჩნდა არა მარტო ბურჟუაზიისათვის, არამედ არისტოკრატიისათვისაც (მაგ., საფრანგეთში, შოტლანდიასა და ინგლისში). მოგვიანებით კ. გავრცელდა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში და მის ზოგიერთ ყოფ. დომინიონში (კანადა, სამხრ. აფრიკის კავშირი). XX ს. 60-იან წლებში კ-ის მიმდევართა რიცხვი აღემატებოდა 45 მლნ. კაცს.



კალიგრაფია. მარცხნივ — შრიფტი „კაროლინგური მინუსკული". „ლორშის სახარება". ხელნაწერის ფრაგმენტი. IX ს. ვატიკანის ბიბლიოთეკა. რომი. მარჯვნივ — შრიფტი „უსტავი". „იურის სახარება". ხელნაწერის ფრაგმენტი. 1119—28. ისტორიული მუზეუმი. მოსკოვი.

ლიტ.: ენგელსი ფ., ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970; Поршнев Б. Ф., Кальвин и кальвинизм, კრ.: Вопросы истории религии и атеизма, в. 6, М., 1958.

გ. ყორდანია.

კალვინო (Calvino) იტალო (დ. 15. X. 1923, სანტიაგო-დე-ლას-ვეგასი, კუბა), იტალიელი მწერალი; ნეორეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, რ-იც მისი შემოქმედების წამყვანი თემაც გახდა (მოთხრ. „ბილიკი ობობას ბუდეებისკენ", 1947). კ-მ შექმნა ზღაპრულ-ფილოს., ალეგორიული ნოველის ჟანრი, რ-ის თავისებურებანი შემდგომ განავრცო თავის მოთხრობა- რომანებში („შუაზე გაპობილი ვიკონტი", 1952, ვიარეჯოს პრემია; „ბარონი ხეზე", 1957; „არარსებული რაინდი", 1959 და სხვ.) და რ-საც იგი ავითარებს თავისივე მკაცრი რეალისტური მეთოდის პარალელურად (მოთხრ. „ჭაბუკები მდინარე პოდან", 1957; „ერთი გამომთვლელის დღე", 1963 და სხვ.). კ-მ შეკრიბა და დაამუშავა იტალ. ხალხ. ზღაპრები (გამოქვეყნდა 1956).

კალი (Cali), ქალაქი დას. კოლუმბიაში. გაშენებულია აღმ. კორდილიერების ძირში, 1000 *მ* სიმაღლეზე, კაუკის ხეობაში. ვალიე-დელ-კაუკის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 920 ათ. მკხ. (1975). სარკინიგზო და საავტ. გზებით უკავშირდება ქ. ბოგოტას. კაუკის ხეობის სამრეწვ. და მთავარი კულტ. ცენტრი. ქსოვილების (ბამბისა და ხელოვნური აბრეშუმის), ფეხსაცმლის, რეზინტექ. და ფარმაცევტული ნაწარმის, მუყაოს, ქაღალდის, საღებავების, საპნის, თამბაქოს, ველოსიპედების წარმოება. 2 უნ-ტი. კ. დაარსდა 1536. ქალაქის მახლობლად იღებენ ქვანახშირს.

კალიაკრის ბრძოლა, რუსეთ-ოსმალეთის ომის (1787—91) დამამთავრებელი საზღვაო ბრძოლა. გაიმართა 1791 წ. 31 ივლ. (11 აგვ.) ბულგარეთის ჩრდ.-აღმ-ით, შავი ზღვის სანაპიროზე, კალიაკრის კონცხთან. რუს. ესკადრამ (16 სახაზო ხომალდი, 2 ფრეგატი, 19 დამხმარე გემი) კონტრადმ. თ. უშაკოვის სარდლობით დაამარცხა ოსმ. ფლოტი (18 სახაზო ხომალდი, 17 ფრეგატი, 43 დამხმარე გემი), რ-საც სანაპირო ბატარეები იცავდა. ამ გამარჯვებამ ხელი შეუწყო იასის საზავო ხელშეკრულების (1791) დადებას.

კალიაო (Callao), ქალაქი პერუში, შედის ლიმის აგლომერაციაში. 323 ათ. მკხ. (1975). ნავსადგური წყნარი ოკ. სანაპიროზე. რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. თევზსაჭერი გემების წარმოება. ლითონდამუშავება. ქიმ., საფეიქრო და კვების (თევზგადასამუშ., ხორცისა და სხვ.) მრეწველობა. იჭერენ თევზს, უმთავრესად ქაფშიას.

კალიარი (Cagliari), ქალაქი და ნავსადგური იტალიაში, კ. სარდინიის სამხრ. ნაწილში. სარდინიის ოლქისა და კალიარის პროვ. ცენტრი. 240 ათ. მკხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. ნავსადგურის ტვირთბრუნვა დაახლ. 3 მლნ. *ტ* წელიწადში (გააქვთ ტყვიისა და თუთიის მადანი, მარილი, ღვინო, ზეითუნის ზეთი). გემთსაშენი, ნავთობგადასამუშ., ქიმ. და ნავთობქიმ., ელექტროტექ., კვების, ხის დასამუშ., საშენ მასალათა მრეწველობა. უნ-ტი.

კალიბრი (ფრანგ. calibre), ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს, აგრეთვე ჭურვის (ტყვიის) დიამეტრი; ერთ-ერთი ძირითადი სიდიდე, რ-იც განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის სიმძლავრეს. გლუვლულიანი იარაღის კ. განისაზღვრება ლულის შიგა დიამეტრით, კუთხვილისა — ხრახნილების მოპირდაპირე ველებს შორის მანძილით, ჭურვებისა (ტყვიების) — უდიდესი განივი კვეთით. ყველა სახეობის თანამედროვე იარაღის კ. აღინიშნება *მმ*-ით. არტილერიაში ქვემეხის ლულის სიგრძეს, ჩვეულებრივ, კ-ით გამოხატავენ— რამდენჯერაც ლულის ღრუს დიამეტრი ლულის სიგრძეში მოთავსდება, იმდენ კ-ს უდრის ლულის სიგრძე.

კალიბრი საზომი, ნაკეთობათა ზომის, ფორმისა და ურთიერთმდებარეობის შესამოწმებელი იარაღი. კ-ით გასაზომი სიდიდის რიცხობრივ მნიშვნელობას არ განსაზღვრავენ. კ-ის ზომასთან შედარების შედეგად ადგენენ დეტალის ვარგისობას. შესამოწმებელი ზედაპირის კონფიგურაციის მიხედვით კ. არის: გლუვი, ცილინდრული, კონუსური, შლიცანი, მოყვანილი ზედაპირების შესამოწმებელი. მანქანათმშენებლობაში გავრცელებულია ზღვრული კ., რ-ითაც უდიდეს და უმცირეს ზომას საზღვრავენ. იყენებენ აგრეთვე ნორმალურ კ-ს. ასეთი კ-ით სარგებლობისას დეტალის ვარგისობას ადგენენ კ-სა და დეტალის ზედაპირს შორის არსებული ღრეჩოს სიდიდის მიხედვით. დანიშნულების მიხედვით ზღვრული კ. სხვადასხვაგვარია: მუშა, რ-ითაც დეტალებს ამოწმებენ საწარმოში; მიმღები, რ-ითაც დეტალებს ამოწმებს დამკვეთი და საკონტროლო — მუშა და მიმღები კ-ების შესამოწმებელი და სარეგულირებელი. ნახვრეტების გასაზომად იყენებენ საცობ კ-ებს, ლილვებისათვის — კ.-კაკვებს. კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ ხისტსა და სარეგულირებელ კ-ებს. კ-ს უმეტესად სერიულ და მსვილსერიულ წარმოებაში იყენებენ. იგი მარტივი კონსტრუქციისაა. მისი საშუალებით შესაძლებელია რთული მოყვანილი ფორმის დეტალების კომპლ. შემოწმება. მანქანათმშენებლობაში ინერგება გაზომვის უნივერს., მექანიზებული და ავტომ. საშუალებანი.

კ. ნუცუბიძე.

კალიგრაფია (ბერძნ. kalligraphia — ლამაზი ხელწერა < Kallos — სილამაზე და graphō — ვწერ), ლამაზად და მკაფიოდ წერის ხელოვნება. კ-ის განვითარება დაკავშირებულია როგორც შრიფტისა და საწერი იარაღების ისტორიასთან (ლერწმის კალამი — ძვ. სამყაროში და შუა საუკ. აღმოსავლეთის ხალხებთან; ფრინველის ფრთა ევროპაში XIX ს. I ნახევრამდე; ფუნჯი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში), ასევე ხელოვნების სტილისტურ ევოლუციასთან. კ. ნაწერს ადვილად წასაკითხს ხდის და ამასთან ემოციურ ზეგავლენასაც ახდენს. ჩინეთისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების კ-ში მთავარი ყურადღება ექცეოდა ემოციურ-სიმბოლურ მნიშვნელობას, მასში გადმოცემული უნდა ყოფილიყო სიტყვის არსი, ასევე კ-ის აზრი და გრძნობა. იმ ქვეყნებში, სადაც ისლამი სახვით ხელოვნებას ზღუდავდა, კ. განვითარების მაღალ დონეზე ავიდა, გამდიდრდა ორნამენტებით, სხვადასხვა სახის გამოსახულებებით (ფრინველები, ცხოველები). შუა საუკუნეებში კ-ის კერები მონასტრები იყო. კ-ის საინტერესო ნიმუშები შეიქმნა რუსეთში (მაგ., გრიგორი დიაკვნის გადაწერილი „ოსტრომირის სახარება". 1057). XV ს-იდან წამყვანი როლი ევრ. კ-ში მხატვრებსა და გრავიორებს ეკუთვნოდა. ისინი აფორმებდნენ წიგნებს, ქმნიდნენ შრიფტს და ა. შ. საქართველოში კ. ადრინდ. შუა საუკუნეებიდან განვითარდა; ხელნაწერებმა მრავალი ქართვ. კალიგრაფის სახელი შემოგვინახა, მ. შ. აღსანიშნავია: *მიქაელ* (IX ს.), *იოანე-ზოსიმე* (X ს.), *გაბრიელ* (X ს.), *გაბრიელ პატარაი* (X ს.), *იოანე-ბერაი* (X ს.), *ბასილი* უცბად მჩხრეკალი (XI ს.), *მაკარი ლეთეთელი* (IX

ს.), *ოვანე მელი* (XI ს.), არსენი (XII ს.), *გიორგი დოდისი* (XII ს.), *აკგაროზ ბანდაისძე* (XIV ს.), ბეგთაბეგ *თანიაშვილი* (XVII ს.), მამუკა *თავაქალაშვილი* (XVII ს.) და მრ. სხვ. ცნობილია კალიგრაფთა მთელი საგვარეულოები (*ბედიაშვილები, ალექსი-მესხიშვილები, კარგარეთლები, თუმანიშვილები, მიქაძეები* და სხვ.).

კალიგულა გაიუს იულიუს ცეზარ (Gaius Iulius Caesar Caligula; Caligula — ჩექმა; სახელი ეწოდა ჯარისკაცული ჩექმების გამო, რ-ებსაც ბავშვობაში ატარებდა) (12, ანციუმი, — 41, რომი), რომის იმპერატორი 37-იდან, *გერმანიკუსის* ძე. იმპერატორად გამოაცხადეს *ტიბერიუსის* მოკვლის შემდეგ. იყო მერყეული, უპრინციპო პოლიტიკოსი, უკიდურესად პატივმოყვარე, ეგოისტი, ეჭვიანი და სისხლისმოყვარე ტირანი. მისმა უთავბოლო მფლანგველობამ დააცარიელა სახელმწ. ხაზინა. ამას მოჰყვა ახ. მძიმე გადასახადები, განუკითხავი სადამსჯელო პროცესები და ქონების კონფისკაციები (განსაკუთრებით სენატორებისა). ბოლოს თავი იუპიტერად გამოაცხადა და საკუთარი ცხენის გაკონსულებაც მოინდომა. მას მიაწერენ სიტყვებს: ნეტავ მთელ რომაელ ხალხს ერთი თავი ედგას, მახვილის ერთი მოქნევით მოვკვეთდი და დავისვენებდიო. კ. მოკლეს პრეტორიანელებმა სასახლეში.

კალიდასა, IV—V სს. ინდოელი პოეტი და დრამატურგი. გადმოცემით, იგი მდაბიო წარმოშობის ბრძენი კაცი იყო. მკვლევართა ვარაუდით, მოღვაწეობდა ინდ. კულტ. ე. წ. „ოქროს ხანაში", გუპტების დინასტიის მეფის ჩანდრაგუპტა II ვიკრამადიტიას კარზე. 30-ზე მეტი თხზულებიდან, რ-ებსაც კ-ს მიაწერენ, მეცნ. კრიტიკა მას აკუთვნებს ეპიკურ პოემებს „რაგჰუს მოდგმას" („რაგჰუვანშა") და „ომის ღმერთის კუმარას დაბადებას" („კუმარასამბჰავა"), ლირ. პოემას „ღრუბელი მაცნე" („მეგჰადუტა", ქართ. თარგმ. 1977) და დრამებს; დრამა „შაკუნტალა" (ქართ. თარგმ. 1966), რ-ის სიუჟეტი აღებულია „მაჰაბჰარატიდან", და „ვაჟკაცობით დაბრუნებული ურვაში" („ვიკრამორვაში"), რ-ის თემა ვედებიდან მომდინარეობს, რომანტიკული, ზღაპრულ-ფანტასტ. შინაარსისაა. „მალავიკა და აგნიმიტრა" (ქართ. თარგმ. 1973), რ-ის თემა აღებულია ინდ. მეფეთა ცხოვრებიდან, მოგვაგონებს რთულ ინტრიგებზე აგებულ ახ. პიესებს. ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რ-შიც არ მოქმედებენ ღვთიური და დემონური ძალები — მისი გმირები ისტ. პირები არიან; წინა პლანზეა წამოწეული უბრალო ხალხი. იგი ავტორის სიცოცხლეშივე დაუდგამთ ქ. უჯაინში.

კ-ს თხზულებები დაწერილია კლასიკურ სანსკრიტზე, რ-შიც ჩართულია პრაკრიტები — ხალხ. სალაპარაკო ენები. კ. *დჰვანის* ოსტატია, მისი პოეტური სახეებით აღძრული ასოციაციები და წარმოდგენები იწვევენ იდუმალ ფიქრებს, დაფარულ გრძნობებს. იგი იყენებს პოეტიკის სხვა ხერხებსაც (*ალანკარა, რასა*). კ-ს შემოქმედებაში აისახა ინდ. ადათები და ზნე-ჩვეულებანი; იგი აგებულია ინდ. ტრად. რელიგ.-ფილოს. მოძღვრებაზე (თეორიები მუდმივი ცხოვრებისეული ციკლისა და ცოცხალ არსებათა დაუსრულებელი გარდასახვისა, მიზეზისა და აუცილებელი შედეგისა), რ-ის თანახმად, ადამიანისათვის არაფერი არ უნდა იყოს მოულოდნელი. ამიტომაც კ-ს დრამებში ყველა განცდა წყნარი და მელანქოლიურია, არსად არ ირღვევა პოეტური ჰარმონია, არ იგრძნობა კონტრასტულობა, ბერძნ. ტრაგედიისათვის დამახასიათებელი გრძნობებისა და განცდების ქარიშხალი. კ-ს მთელი შემოქმედება მშვენიერებისა და ზომიერების გრძნობითაა გამსჭვალული. ევრ. მკითხველი კ-ს შემოქმედებას XVIII ს-ში გაეცნო.

ლიტ.: Пащенко В. И., Гордость индийской литературы — Калидаса, М., 1956.

გრ. ნახუცრიშვილი. ე. ალექსიძე.

კალიეზი (Acridoidea), მწერების ზეოჯახი *სწორფრთიანების* რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 9 *სმ* აღწევს; აქვთ 2 წყვილი ფრთა ან სულ უფრთოები არიან. ზოგჯერ ფრთები განვითარებადაუმთავრებელია. უკანა ფეხებს სახტომად იყენებენ. მოკლე კვერცხსადები აქვთ. კვერცხებს დებენ გროვებად, რ-იც ქაფისებრი სითხის გარსშია გახვეული; გაცივებისას სითხე მკვრივდება. მატლები გაზაფხულზე იჩეკება. კანს 4—7-ჯერ იცვლიან. ზეოჯახში 10000-მდე სახეობაა, რ-თაგან სსრკ-ში გვხვდება 500-მდე სახეობა, უმთავრესად ნამდვილ კალიისებრთა (Acrididae) ოჯახისა, რ-ებიც ზედა ფრთების გამსხვილებულ ძარღვებზე უკანა კიდურების ხახუნით გამოსცემენ ჭრიჭინა ბგერებს. მუცლის პირველი სეგმენტის გვერდებზე კარგად განვითარებული სმენის ორგანოები აქვთ. კ-ის მრავალი სახეობა დიდ ზიანს აყენებს სოფ. მეურნეობას. საქართველოში ყველაზე მავნე სახეობებია ეგვ. კალია (Anacridium aegypticum), იტალიური კალია (Calliptamus italicus), მაროკოს კალია (Dociostaurus maroccanus), გადამფრენი ანუ აზიური კალია (Locusta migratoria).

ილუსტრაცია იხ. ჩანართი, გვ. 416.

კალიკრატე (Kallikratēs), ძვ. ბერძენი არქიტექტორი. ცხოვრობდა ძვ. წ. V ს-ში. მუშაობდა ათენში. მონაწილეობდა ათენის ე. წ. გრძელი კედლების შექმნაში (ძვ. წ. 457—445) და აკროპოლისის კედლების აღმ. ნაწილის გამაგრებაში. მისი აგებულია პართენონი (ძვ. წ. 447—438, იქტინესთან ერთად) და ნიკე აპტეროსის პატარა იონიური ტაძარი (დაამთავრა ძვ. წ. 420) აკროპოლისზე.

კალიმა (Kallima), პეპლების გვარი *ნიმფალიდისებრთა* ოჯახისა. მათი ფრთების შლილი 6—8 *სმ* აღწევს. ტოტზე მჯდომი ფრთებაკეცილი პეპელა ფორმითა და შეფერვით გამზმარ ფოთოლს ჰგავს (*მიმიკრიის* კლასიკური მაგალითი). ფრთების ზედა მხარე კამკაშა ფერებითაა მოხატული. გვარში რამდენიმე სახეობაა. გავრცელებულია ტროპ. აზიაში.

კალიმა (Kalima), კალემიე (Kalemie) (1968-მდე ალბერვილი), ქალაქი ზაირის რესპუბლიკის აღმ. ნაწილში, შაბის ოლქში. 62,3 ათ. მცხ. (1970). სავაჭრო-სატრანსპ. ცენტრი. ნავსადგური ტანგანიიკის ტბის დას. ნაპირზე. რკინიგზის სადგური. მსუბუქი, ცემენტის, კვების და ფარმაცევტული მრეწვ. საწარმოები. გემთშეკეთება. თევზჭერა.

კალიმანტანი (Kalimantan), ბორნეო (Borneo), კუნძული მალაის არქიპელაგში. უდიდესი კუნძული დიდი ზონდის კ-ებში. ფართ. 734 ათ. *კმ*² (სიდიდით მესამეა დედამიწაზე გრენლანდიისა და ახალი გვინეის შემდეგ), სანაპირო კუნძულებიანად — 746,5 ათ. *კმ*². გადაჭიმულია სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-კენ დაახლ. 1100 *კმ*-ზე. კ-ს აკრავს სამხრ. ჩინეთის, სულუს, სულაველისი, იავის ზღვები, მაკასარისა და კარიმატის სრუტეები. ტერიტ. დიდი ნაწილი (დაახლ. 540 *კმ*²) ეკუთვნის ინდონეზიას; ჩრდ. ნაწილშია სარავაკი და საბაჰი (მალაიზიის შტატები) და ბრუნეი (დიდი ბრიტ.). ნაპირები ძირითადად დაბალი, დაჭაობებული და სუსტად დანაწევრებულია. ჩრდ. ნაწილში აღმართულია კ-ის უმაღლესი მწვ. კინაბალუ (4101 *მ*). მთები ძირითადად აგებულია გრანიტებით, გნაისებითა და კრისტ. ფიქლებით. მთების ირგვლივ ბორცვიანი ვაკეებია, რ-ებიც თანდათანობით ბრტყელ დაჭაობებულ დაბლობში გადადის. წიაღისეულიდან არის ნავთობი, ქვანახშირი, რკინის, მანგანუმის, სპილენძისა და სხვ. ლითონების მადანი. ჰავა ეკვატორულია. ჰაერის ტემპ-რა ბარში მთელი წლის განმავლობაში 25—27°C. ნალექები 2000—3000 *მმ* წელიწადში, მთაში — 5000 *მმ*-მდე. მდინარეები წყალუხვია. ტერიტ. 3/4-ზე მეტი ტყეს უჭირავს. სანაპიროზე მანგროვიანი მცენარეულობაა, ვაკეზე, მთისწინეთში და მთის კალთებზე — მრავალიარუსიანი მაღალტანიანი ნოტიო ტროპ. ტყეები, მწვერვალებზე — ბუჩქნარი და ნაირბალახოვანი მდელოები. კ. მდიდარია ფაუნით. გვხვდება სპილო, მაიმუნები, მფრინავი ძაღლები, ფრთამატყლიანები, დათვი, მარტორქა; ფრინველებიდან — თუთიყუშები, არგუსი და სხვ. ტერიტ. თითქმის 2% დახნულია. ძირითადი კულტურაა ბრინჯი, ჰევეა, ქოქოსის პალმა. კოპრის წარმოება. თევზჭერა. მთავარი ქ-ებია: ბანჯარმასინი, პონტიანაკი (ინდონეზია), კუჩინგი (მალაიზია).

კ-ის მკვიდრ მოსახლეობას მრავალრიცხოვანი ტომები შეადგენს, რ-ებსაც ხშირად საერთო სახელს დაიაკის უწოდებენ. საუკუნეების მანძილზე დაიაკებს კ-ის შიგა რ-ნებისაკენ დევნიდნენ, ისინი ნაწილობრივ შეერწყნენ აქ მოსულ მალაიელებს, იაველებს, ბუგინეზიელებს. XVI ს-ში კ-ის ყველაზე დიდი სამთავროები იყო ბანჯერმასინი და კუტეი (სამხრ.-აღმ.), სამბასი, მამპავა, ლანდაკი, სუკადანა (დას.), ბრუნეი (ჩრდ.). XVII ს-ში ევრ. ოსტინდ. კომპანიებმა სცადეს კ-ზე დამკვიდრება. მხოლოდ XVIII ს-ში შეძლო ნიდერ. ოსტინდოეთის კომპანიამ პონტიანაკის გამგებელთან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების დადება და ბანჯერმასინის სულთნის დამორჩილება. XIX ს. 40-იანი წწ. დასაწყისში ევროპელებმა ხელთ იგდეს სარავაკი. 1847 დიდმა ბრიტანეთმა ბრუნეის თავს მოახვია არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. XX ს. I ათეულის ბოლოს ჰოლანდიელებმა შეძლეს კ-ის სამხრ.-აღმ-ით და დას-ით მდებარე დანარჩენი სასულთნოებისათვის თავს მოეხვიათ „თვითმმართველი" სამთავროების სტატუსი. 1888 დიდმა ბრიტანეთმა პროტექტორატი დაამყარა ახლანდ. საბაჰის, ბრუნეისა და სარავაკის ტერიტორიებზე. 1891 კ-ზე დადგინდა საზღვარი ინგლ. და ჰოლანდ. სამფლობელოებს შორის. 1949 *„მრგვალი მაგიდის" კონფერენციის* შემდეგ კ-ის ჰოლანდიის ნაწილი ინდონეზიის შეერთებული შტატების, ხოლო 1950-იდან ინდონეზიის რესპ. შემადგენლობაში შევიდა. 1946 სარავაკი და საბაჰი დიდი ბრიტ. სამეფო კოლონია გახდა, ხოლო 1963 მალაიზიის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდა (შტატებად).

კალიმაქე (Kallimachos) (დაახლ. ძვ. წ. 315, კვირენე, ჩრდ. აფრიკა, — დაახლ. ძვ. წ. 240, ალექსანდრია), ელინისტური ეპოქის ბერძენი პოეტი და მეცნიერი. ალექსანდრიის პოეტთა წრისა და ბ-კის მეთაური იყო. შეადგინა ალექსანდრიის ბ-კაში დაცულ თხზულებათა კომენტირებული 15-წიგნიანი კატალოგი, ე. წ. პინაკები. შექმნა მცირე მოცულობის პოემის ჟანრი — ეპილიონი, რის გამოც დავა ჰქონდა *აპოლონიოს როდოსელთან*. ჩვენამდე მოღწეულია კ-ს 60 ეპიგრამა, 6 ჰიმნი, კრებულ „მიზეზების" ფრაგმენტები, ეპილიონის „ჰეკალესა" და იამბების ნაწყვეტები. მცირე მოცულობის პოემა „იბისი" დაკარგული ჩანს.

ლიტ.: ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1949.

„კალიმაქე და ძრისოროე", XIII—XIV სს. ბერძნული პოეტური თხზულება. სატრფიალო-სათავგადასავლო შინაარსისაა. მიეკუთვნება ე. წ. ბიზანტ. სარაინდო რომანების ჯგუფს. მასში ერთმანეთს ერწყმის ბერძნ. ჯადოსნური ზღაპრისა და სატრფიალო რომანის მოტივები, თვალსაჩინოა რომანის ენის სამეტყველო ენასთან დაახლოების ცდა. თხზ. გამართულია ხალხ. პოეზიიდან შეთვისებული თხუთმეტმარცვლოვანი (ე. წ. პოლიტიკური)



კალიები: 1—Betrix tenuicornis; 2—Phytomastax robusta; 3—Pyrgomorpha conica.

უდაბნოს კალია (Schistocerca gregaria) კანგამოცვლილი, მარჯვნივ—გამონაცვალი კანი.

კალიკრატე. ნიკე აპტეროსის ტაძარი. ძვ. წ. 449—420. ათენის აკროპოლისი.

კალიმა.

კალინინგრადი. სკულპტურული ჯგუფი „გამარჯვება“ (ძეგლი კენიგსბერგის შტურმის გმირებს). ბრინჯაო, გრანიტი. 1945—46, მოქანდაკე ი. მიკენასი, არქიტ ს. ნანუშიანი, ი. მელჩაკოვი.



კალინინგრადის ოლქი. თეოზწყობინატის საკონსერვო საამქროში. ქ. კალინინგრადი.

მ. კალინინი.

ლექსიკ.თ. ავტორად მიჩნეულია ანდრონიკე კომნენოსი დუკა პალეოლოგოსი.

ლიტ.: ალექსიძე ა., ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო (XIII—XIV სს.), თბ., 1976.

კალინე ეფესელი (Callinos) (ძვ. წ. VII ს.), ბერძენი (მცირეაზიელი) პოეტი; ელეგიური ლირიკის მამამთავარი; ე. წ. საბრძოლო ელეგიის ფუძემდებელი. აქტიურად მონაწილეობდა ქ. ეფესოსა და ქ. მაგნესიას შორის ბრძოლაში, აგრეთვე მცირე აზიაში შემოჭრილ კიმერიელებსა და ტრერელებთან შეტაკებებში. ელეგიური დისტიქებით გამართულ სიმღერებში კ. ე. თანამემამულეებს მოუწოდებდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. მის პოეტურ ენას ჰომეროსის ეპოსის ამკარა გავლენა ეტყობა. კ. ე-ის შემოქმედებიდან მხოლოდ მცირე ნაწყვეტებია შემორჩენილი (21 სალექსო კარედი).

თხზ.: [წყნ-ში] Diehl E., Anthologia lyrica graeca, v. 1, Lpz., 1954; ელადის მუზა, თბ., 1965.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950; წერეთელი გრ., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, ტფ., 1927.

კალინინგრადი (1946-მდე კენიგსბერგი), ქალაქი, რსფსრ კალინინგრადის ოლქის ცენტრი. მდებარეობს მდ. პრეგოლიის ორივე ნაპირზე, მის შესართავში (ერთვის ბალტიის ზღვის ვისლის ყურეს). დიდი სამრეწვ.-სატრანსპ. კვანძი. გაუყინარი ნავსადგური, ბალტიის ზღვას უკავშირდება არხით. 355 ათ. მცხ. (1979). სახელი ეწოდა მ. კალინინის პატივსაცემად.

დაარსდა 1225. შვიდი საუკუნის მანძილზე იყო გერმ. ფეოდალთა, შემდეგ—იმპერიალისტთა აგრესიის ცენტრი პოლ. და რუს. ხალხების წინააღმდეგ. დიდი სამამულო ომის დროს, 1945 წ. 6—10 აპრ., ქალაქი საბჭ. ჯარებმა დაიკავეს. პოტსდამის კონფერენციის (1945) გადაწყვეტილებით ქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორია შეუერთდა სსრკ-ს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971).

კ-ის მრეწვ. დარგებიდან წამყვანია თევზისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ., მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. არის თევზსაჭერი ფლოტი და ვეშაპთსაჭერი ფლოტილია.

ქალაქის ტერიტ. 1/3 უჭირავს პარკებს, ბულვარებს, ბაღებს, სკვერებსა და წყალსატევებს. 1953-იდან მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია გენ. გეგმის მიხედვით. კ-ის ცენტრში, გამარჯვების მოედანზე დგას ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1958, მოქანდაკე ვ. თოფურიძე); გვარდიელთა პროსპექტზე აღმართულია კენიგსბერგის შტურმის დროს დაღუპული 1200 გვარდიელის ძეგლი (1945—46, მოქანდაკეები ი. მიკენასი, ბ. პუნძიუსი, არქიტ. ს. ნანუშიანი, ი. მელჩაკოვი). კ-ში არის აგრეთვე მ. კალინინის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1959, მოქანდაკე ბ. ედუნოვი, არქიტ. ა. გულიაევი), ფ. შილერის ძეგლი (1910, მოქანდაკე კ. კაუერი), ი. კანტის საფლავი.

კ-ში არის უნ-ტი, თევზის მრეწვ. და მეურნ. ტექ. ინ-ტი, უმაღლესი საინჟინრო საზღვაო სასწავლებელი, თევზის მეურნ. და ოკეანოგრაფიის ატლანტიკური სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, 8 საშ. სპეციასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დრამ. და თოჯინების თეატრები, ტელეცენტრი, ფილარმონია, წიგნის გამომცემლობა. კ-ის მახლობლად საზღვ. კლიმ. კურორტებია.

კალინინგრადი, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ მოსკ. ოლქში, რკინიგზის სადგ. (პოდლიპკი), მოსკოვიდან 22 *კმ*. 133 ათ. მცხ. (1979). არის მექან.-ტექნოლ. ტექნიკუმი. ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი. 1922 წ. 17 იანვრიდან 1 მარტამდე სოფ. კოსტინოს მახლობლად (ამჟამად ქალაქის ფარგლებშია) ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი.

კალინინგრადის ოლქი, შედის რსფსრში. შეიქმნა 1946 წ. 7 აპრ. ფართ. 15,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 806 ათ. კაცი (1979), მ. შ. 77% ცხოვრობს ქალაქად. ცენტრი—ქ. კალინინგრადი. სამხრ-ით ესაზღვრება პოლონეთი, დას-ით აკრავს ბალტიის ზღვა.

ოლქის ზედაპირი დაბლობი ვაკეა, რ-იც დასერილია მდინარეთა ხეობებით. დიდი მდ-ებია ნემანი (შენაკადი შიაშუპე) და პრეგოლია (შენაკადი ლავა). ბევრია ტბები და ჭაობები. ზღვის სანაპირო ზოლს უწოდებენ „ქარვის ნაპირს“ — მსოფლიოში ქარვის უდიდეს საბადოსთან დაკავშირებით, რ-ის ბაზაზე მუშაობს ქარვის კომბინატი. ოლქში არის ქვამარილის, მურა ნახშირის, სამშენებლო ქვიშის, თიხის, ხრეშის, ნავთობისა და ტორფის საბადოები. ტერიტ. 15% ტყეს უკავია (ნაძვი, ფიჭვი, მუხა, რცხილა, მურყანი, არყი, ცაცხვი, ნეკერჩხალი). მრეწვ. მთავარი დარგებია მანქანათმშენებლობა, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამუშავება, კვების მრეწვ. (განსაკუთრებით თევზის). სამრეწვ. საწარმოები უშვებენ თვითმცლელ ვაგონებს, კოშკურ ამწეებს, ელექტროსატვირთველებს, შუქტექ. მოწყობილობას, მიკროძრავებს, საგზაო მანქანებს, მოწყობილობას ქაღალდის მრეწველობისათვის და სხვ. განვითარებულია თევზჭერა (ატლანტის ოკეანეში), ქარვის მოპოვება და დამუშავება. სოფ. მეურნეობაში წამყვანია სარძევე და სახორცე მეცხოველეობა, მნიშვნელოვანი ფართობი უკავია საკვები კულტურების ნათესებს. განვითარებულია საზღვაო, სარკინიგზო და საავტ. ტრანსპორტი. ზღვისპირა კურორტებია სვეტლოგორსკი, ზელენოგრადსკი, პიონერსკი და სხვ. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1966).

კალინინგრადის უნივერსიტეტი, დაარსდა 1967 კალინინგრადში. 1978 უნ-ტში იყო ფიზ.-მათ., ისტ.-ფილოლ., ეკონ.-სამართლის, გეოგრ., ქიმ.-ბიოლ. ფაკულტეტები; მოსამზადებელი, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები; ასპირანტურა; 27 კათედრა, 30 სასწ. ლაბორატორია, ბოტ. ბაღი, ბ-კა (350 ათ-ზე მეტი დაცვითი ერთეული). სწავლობდა 4,3 ათ-ზე მეტი სტუდენტი, მუშაობდა 250 მასწავლებელი, მ. შ. 21 პროფესორი და მეცნ. დოქტორი, 100 დოცენტი და მეცნ. კანდიდატი. 1968-იდან კ. უ-ში გამოდის „სამეცნიერო შრომები“.

კალინინი მიხეილ ივანეს ძე [7 (19). X. 1875, სოფ. ვერხნაია-ტროიცა, ახლანდ. კაშინის რ-ნი, კალინინის ოლქი, — 3. VI. 1946, მოსკოვი], კომპარტიისა და საბჭ. სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1944), კომპარტიის წევრი 1898-იდან. დაიბადა გლეხის ოჯახში. 1893-იდან მუშაობდა პეტერბურგში ქ-ნა „სტარი არსენალში“, 1896-იდან — პუტილოვის ქ-ნაში; აქ მან ჩამოაყალიბა მარქსისტული წრე, რ-იც შედიოდა პეტერბ. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში“. 1899 ივლ. „ბრძოლის კავშირის“ საქმეზე დააპატიმრეს და 10 თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს თბილისში. აქ მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, შევიდა თბილ. ს.-დ. ორგანიზაციის ცენტრ. ჯგუფში, მონაწილეობდა მუშათა გაფიცვის მოწყობაში (1900 აგვ.), რისთვისაც დაუპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1901 მარტში გადაასახლეს რეველში (ახლანდ. ტალინი), სადაც მუშაობდა ზეინკლად ქ-ნა „ვოლტაში“, შემდეგ—რკინიგზის სახელოსნოებში. 1902 ჩამოაყალიბა მარქსისტული წრე და არალეგალური სტამბა. იყო „ისკრის“ აგენტი. 1903 იანვ. დააპატიმრეს და პეტერბ. ციხეში ჩასვეს. ივლ-ში გადაასახლეს. 1905 არალეგალურად ჩავიდა პეტერბურგში და ბოლშევიკური ცენტრის დავალებებს ასრულებდა. 1905 დეკ-ში იყო პუტილოვის მუშათა გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი. იყო რსდმპ IV ყრილობის (1906) დელეგატი და მხარს უჭერდა ლენინის ხაზს. 1908—10 მუშაობდა მოსკოვში, 1911—12 — პეტერბურგში, სადაც შედიოდა რსდმპ პეტერბ. კომიტეტში და ხელმძღვანელობდა ვიბორგის რ-ნის ორგანიზაციას. რსდმპ VI (პრაღის) კონფერენციაზე (1912) აირჩიეს რსდმპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად და შეიყვანეს ცკ-ის რუს. ბიუროს შემადგენლობაში. მონაწილეობდა გაზ. „*პრავდის*“ დაარსებაში. დახმარებას უწევდა IV სახელმწ. სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციას. 1912 ზაფხულში ხელმძღვანელობდა იარაღის ქ-ნის მუშათა გაფიცვას. 1916 იანვ-ში დააპატიმრეს რსდმპ პეტროგრ. კომიტეტის საქმეზე და 1 წლის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს აღმ. ციმბირში, საიდანაც გაიქცა და განაგრძო არალეგალური მუშაობა პეტროგრადში. მონაწილეობდა 1917 თებ. რევოლუციაში, იყო პეტროგრ. პირველი ბოლშევიკური კომიტეტის წევრი და მისი წარმომადგენელი რსდმპ (ბ) ცკ-ის ბიუროში, შედიოდა გაზ. „პრავდის“ რედაქციის შემადგენლობაში. 1917 სექტ-ში აირჩიეს პეტროგრ. სახელმწ. სათათბიროში და ლენინგრადის რ-ნის მმართველობის თავ-რედ. აქ 1917 წ. 16 ოქტ. შედგა რსდმპ (ბ) ცკ-ის თათბირი, რ-მაც მიიღო რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ კ. აირჩიეს პეტროგრ. საქალაქო სათათბიროში, საიდანაც აირჩიეს ქალაქის თავად. 1919 მარტში რკპ (ბ) VIII ყრილობაზე აირჩიეს რკპ(ბ) ცკ-ის წევრად, ი. სვერდლოვის გარდაცვალების შემდეგ კი — სრულიად რუს. ცაკის თავ-რედ. სამოქალაქო ომის (1918—20) დროს სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა რიგებში, ხელმძღვანელობდა აგიტმატარებელ „ოქტომბრის რევოლუციას“. 1922 დეკ-ში, სსრკ-ის შექმნის შემდეგ, კ. აირჩიეს სსრკ ცაკის თავ-რედ, საკ. კპ (ბ) XIV ყრილობის შემდეგ აირჩიეს საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. 1938 იანვრიდან 1946 მარტამდე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე იყო.

კ-ს უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა. იგი მთელი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას. მშრომელები სიყვარულით „საკავშირო მამასახლისს“ ეძახდნენ. კ-ის ნაშრომებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შუქზე განხილულია სოციალ. მშენებლობის, კომუნისტური აღზრდის, ლიტ-რის, ხელოვნების სხვადასხვა საკითხი. თავის გამოსვლებსა და სტატიებში დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობაში სოციალ. მსოფლმხედვე-



ლობის, კომუნისტური მორალის გამომუშავებას. 1931 ქ. ტვერს კ-ის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით. დაკრძალულია წითელ მოედანზე. 1946 მოსკოვში გაიხსნა კ-ის მემორიალური მუზეუმი.

თხზ.: Избр. произв., т. 1—3, М., 1960—62; კომუნისტური აღზრდის შესახებ. რჩეული სიტყვები და სტატიები, თბ., 1970; პოლიტიკური აგიტაციის შესახებ, გამოც. მე-2, თბ., 1950.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., მ. ი. კალინინის კანდიდატურის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის თავმჯდომარის პოსტზე. [სიტყვა სრულიად რუსეთის ცაკ-ის XII სხდომაზე 1919 წ. 30 მარტს], თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29; Толмачёв А., Калинин, [М.], 1963.

კალინინი (1931-მდე ტვერი), ქალაქი, რსფსრ კალინინის ოლქის ცენტრი. სამდ. ნავსადგური მდ. ვოლგაზე. რკინიგზის სადგური მოსკოვ—ლენინგრ. ხაზზე, მოსკოვიდან 167 *კმ*. 412 ათ. მცხ. (1979). სახელი ეწოდა მ. კალინინის პატივსაცემად.

ქალაქი დაარსდა XII ს-ში მდ-ების ვოლგისა და ტვერცის შესართავში (აქედან — სახელწ. ტვერი). პირველად იხსენიება 1208—09 ლავრენტის მატიანეში. თავდაპირველად ეკუთვნოდა ნოვგოროდს, 1209-იდან—ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს. 1247 — 1485 ტვერის სამთავროს ცენტრი იყო. XIV—XV სს-ში ჩრდ.-აღმ. რუსეთის მნიშვნელოვანი ეკონ. და კულტ. ცენტრია. განვითარებული იყო ხელოსნობა, სავაჭრო კავშირი ჰქონდა ბალტიისპირეთთან, კავკასიასთან, ახლო აღმოსავლეთსა და შუა აზიასთან. 1485, ივანე III-ის დროს, შევიდა მოსკ. სახელმწ. შემადგენლობაში. 1775-იდან ტვერის გუბ. ცენტრია. XIX ს. შუა წლებიდან ვითარდება საფეიქრო მრეწველობა. პირველი ს.-დ. წრე ტვერში შექმნა ა. კუგუშევამ (1894). 1901 დასაწყისში გაფორმდა ს.-დ. ჯგუფი, რ-იც შემდეგ რსდმპ ტვერის კომიტეტად გადაკეთდა (1902). ტვერის მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ მეფის რუს. წინააღმდეგ გამოსვლებში (1905 დეკ. შეიარაღებულ აჯანყებაში). საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 28 ოქტ. (10 ნოემბ.). 1941 წ. 17 ოქტ-იდან 16 დეკ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971).

კ. დიდი სამრეწვ. ცენტრია, იძლევა ოლქის სამრეწვ. პროდუქციის დაახლ. 2/5-ს. უმთავრესად განვითარებულია მსუბუქი და ქიმ. მრეწვ. (ბამბეულის, ხელოვნური ბოჭკოს, კამვოლის, ხელოვნური ტყავის კომბინატები), მანქანათმშ. (ვაგონთსაშენი, ექსკავატორების, ელექტროაპარატურის და სხვა ქ-ნები). არის დიდი პოლიგრ. კომბინატი, საშენ მასალათა და კვების მრეწვ. საწარმოები.

ქალაქის ინტენს. განაშენიანება 1763 ხანძრის შემდეგ დაიწყო (1763—67, პ. ნიკიტინის, მ. კაზაკოვის და სხვ. გეგმის მიხედვით). მთავარ მოედანზე განლაგებულია კლასიკისტური სტილის შენობები: მაგისტრატისა (1770—80), სათავადაზნაურო სახლი (1766—70), სკოლა (1786). არქიტ. ძეგლთაგან აგრეთვე აღსანიშნავია ეკატერინე II-ის სასახლე (1763—67, არქიტ. მ. კაზაკოვი; დასრულდა 1809, არქიტ. კ. როსი), ამაღლების ეკლესია (1813, არქიტ. ვ. ლვოვი). თანამედროვე კ-ს შენარჩუნებული აქვს ისტ. გეგმა. ქალაქის განაპირას შენდება ახ. საზ. სახლები და საცხოვრ. რ-ნები. ქალაქში არის კ. მარქსის (ბეტონი, 1918), ვ. ი. ლენინის (გრანიტი, ნაჭედი სპილენძი, 1959, მოქანდაკეები ბ. ბარკოვი, პ. კიონიგი, არქიტ. ი. მელჩაკოვი), ა. ნიკიტინის (ბრინჯაო, გრანიტი, 1955, მოქანდაკე ს. ორლოვი, არქიტ. გ. ზახაროვი), ი. კრილოვის (ბრინჯაო, გრანიტი, 1959, მოქანდაკეები ს. შაპოშნიკოვი, დ. გორლოვი) ძეგლები, გამარჯვების ობელისკი (ცემენტი, ბრინჯაო, 1970, მოქანდაკეები ი. რუკავიშნიკოვი, ა. ფილიპოვა, არქიტ. ნ. მილოვიდოვი, გ. საევიჩი).

კ-ში არის უნ-ტი, პოლიტექ., სას.-სამ. და სამედ. ინ-ტები, 10 საშ. სპეციალსწავლებელი. 3 თეატრი, ფილარმონია. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, ლ. ჩაიკინას სახ. კომკავშირის დიდებისა და ტვერის ყოფის მუზეუმები.

კალინინის ოლქი, შედის რსფსრ-ში. შეიქმნა 1935 წ. 29 იანვ. ფართ. 84,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 1649 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 67%. ცენტრი — ქ. კალინინი.

კ. ო. მდებარეობს ზემო ვოლგის აუზში, ზედაპირი ბორცვიანი ვაკეა. დას. ნაწილში არის *ვალდაის მაღლობი*. ბევრია ტბა (სელიგერი და სხვ.), არის ჭაობები. მდინარეებზე აგებულია წყალსაცავები (ივანკოვოს, უგლიჩის, რიბინსკის, ვიშნიოველოროკის). იღებენ მურა ნახშირსა და ტორფს.

მრეწვ. მთავარი დარგებია ელექტროენერგეტიკა, საფეიქრო, მანქანათმშ. (ვაგონები, ექსკავატორები, ამწეები, სას.-სამ. და ტორფის ამოსაღები მანქანები, ელექტროაპარატურა), ქიმ. (ქიმ. და მინის ბოჭკოს, ხელოვნური ტყავის კომბინატები), პოლიგრ. მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან განვითარებულია ბამბეულის, შალის, აბრეშუმის, სელის, ტყავის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის და სამკერვალო მრეწველობა. უძველესი დარგია მინისა და ფაიფურ-ქაშანურის წარმოება. საშენ მასალათა მრეწველობიდან აღსანიშნავია სამშენებლო ქვის, ხრეშის, აგურის, კირქვის მოპოვება, რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება და სხვ.

კ. ო. სელის მოყვანით ერთ-ერთ I ადგილზეა სსრკ-ში. მისდევენ სარძევე მეცხოველეობას და მედორეობას. სანაოსნოა მდ. ვოლგა.

ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1966).

კალინინის უნივერსიტეტი, დაარსდა 1971 პედ. ინ-ტის ბაზაზე, რ-იც გაიხსნა 1918 წ. 1978 უნ-ტში იყო ისტ., ფილოლ., რომანულ-გერმ. ფილოლ., იურიდ., ეკონ., მათ., ფიზ., ქიმ.-ბიოლ. ფაკ-ტები; მოსამზადებელი, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები; ასპირანტურა; 34 კათედრა, 50-მდე სასწ. ლაბორატორია, სამეცნ.-კვლ. ცენტრი; სწავლობდა 6 ათზე მეტი სტუდენტი.

კალინინო, სოფელი ბოგდანოვკის რ-ნში (გორელოვკის სოფსაბჭო), მადის ტბის ნაპირზე. ზ. დ. 2110 *მ*, ბოგდანოვკიდან 25 *კმ*. ს. კიროვის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი.

კალინინო, სოფელი გარდაბნის რ-ნში, გარდაბნის ვაკეზე, რუსთავ—გარდაბნის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ამბართაფა, ახალშენი, ბირლიკი, თაზაქენდი). ზ. დ. 300 *მ*, გარდაბნიდან 5 *კმ*. გარდაბნის მებოსტნეობა-მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. და რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კალინინსკი (1962-მდე დაბა ბალანდა), ქალაქი რსფსრ სარატოვის ოლქში, მდ. ბალანდის (მედვედიცის შენაკადი) ნაპირზე. კალინინსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის ტოტის ბოლო სადგური. რეზინტექ. საწარმოთა, ავტოსარემონტო, ასფალტბეტონის, აგურის ქ-ნები; კვების მრეწველობა (რძის, საკონსერვო, მეფრინველეობის კომბინატები, ლუდის ქ-ნა). სანატორიუმები.

კალინკოვიჩი, ქალაქი (1926-იდან) ბელორ. სსრ გომელის ოლქში. სარკინიგზო კვანძი. წისქვილ-, ხორც-, ხილსაკონსერვო კომბინატი, სარემონტო-მექან., სახურავი მასალის, რკინაბეტონის ნაწარმთა ქ-ნები,

კალინინის ოლქი. პოლიგრაფიული კომბინატი. ოფსეტური ბეჭდვის საამქრო ში. ქ. კალინინი.


კალინინის ოლქი
ნოვგოროდი
ტვერი
ბოლოგოვო
ბეჟეცკი
ბელი
ზუბცოვი
ოლენინო
ბაბინო
ბახმეტიევო
ბოლმეკი
ზემეკი
ბიბირევო
ტიმონკინო
ბაბინინო
ბოლოგოვო
ანდრეაპოლი
ბელოკოვო
ბოლოგოვო
ბელოკოვო
ბეჟეცკი
ბელი
ბელოკოვო
ბეჟეცკი
ბეჟეცკი
ბეჟეცკი

კ. კალინოვსკი.

მეფრინველეობის, საყოფაცხოვრებო ქიმიის, ავეჯის ფ-კები.

კალინოვსკი კონსტანტინე სიმონის ძე (კასტუსი) [21. I (2. II.). 1838, მოსტოვლიანი, გროდნოს მაზრა, —10 (22). III. 1864, ვილნიუსი], რევოლუციონერ-დემოკრატი, ლიტვისა და ბელორუსიის 1863—64 აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. შლიახტიჩის ოჯახიდან. 1856—60 სწავლობდა პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე, მონაწილეობდა სტუდენტთა რევ. წრეებში. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ნ. ჩერნიშევსკისა და ა. გერცენის იდეებისა და პოლ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის საფუძველზე. მიისწრაფოდა აჯანყებაში გლეხობის მასობრივი ჩაბმისაკენ. 1864 შეიპყრეს და როგორც აჯანყების ხელმძღვანელს, სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ იგი ციხეშიაც განაგრძობდა ბრძოლას და ხალხს მიმართავდა „წერილებით სახრჩობელიდან". სიკვდილით დასაჯეს ვილნიუსში.

ლიტ.: Смирнов А. Ф., Кастусь Калиновский, Минск, 1963.

კალინჩიაკი (Kalinčiak) იან (10. VIII. 1822, გორნე-ზატურჩიე, ქ. მარტინის გარეუბანი, — 16. VI. 1871, ქ. მარტინი), სლოვაკი მწერალი, სლოვაკური რომანტ. პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ლ. *შტურის* სკოლის წარმომადგენელი. კ-მა ისტ. მოთხრობები („მილკოს საფლავი", 1845—46; „სლოვაკი ყმაწვილი", 1847) და რომანი „ლიპტოველი ბატონი" (1852) ეროვნ.-განმათ. ბრძოლას მიუძღვნა. მნიშვნელოვანია რეალისტური მოთხრ. „არჩევნები" (1860, ამავე სახელწოდების ფილმი, 1957) და „ავტობიოგრაფია" (1862).

კალიპტროგენი (ბერძნ. kalyptra — საბურველი და -genēs—წარმოქმნილი, დაბადებული), წარმომქმნელი ქსოვილი, რ-იც ფესვის ზრდის კონუსის წვერზეა და რ-ისგანაც ვითარდება ფესვის შალითა. აქვთ ერთლებნიან მცენარეებს.

კალისტო, პლანეტა *იუპიტერის* თანამგზავრი, პლანეტიდან დაშორების მიხედვით მე-4, ხილული ვარსკვლავიერი სიდიდე საშ. ოპოზიციაში — 5,5. პლანეტიდან საშ. დაშორება 1882 ათ. *კმ*. გარემოქცევის სიდერული პერიოდი 16,68902 *დღ-ღ*. დიამეტრი 4700 *კმ*. აღმოაჩინა გ. *გალილეიმ* 1610. სახელწ. მომდინარეობს ნიმფა კალისტოს სახელიდან, რ-იც, ძვ. ბერძნ. მითოლოგიის მიხედვით, ზევსმა თანავარსკვლავედად აქცია.

კალისტრატე (ერისკაცობაში კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე) [12 (24). IV. 1866 — 2. II. 1952], საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1932—52. ღვთისმეტყველების კანდიდატი (1892). 1888 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1892—კიევის სას. აკადემია. 1893 მღვდლად ეკურთხა და დაინიშნა დიდუბის ეკლესიაში. 1903 გადაიყვანეს ქაშვეთში. 1909-იდან დეკანოზი, 1925-იდან მიტროპოლიტი, იმავე წლიდან — ეპისკოპოსი ნინოწმინდელი, 1927 — მანგლელი. იყო სსრკ მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი (1948-იდან). კ. აქტიურად იბრძოდა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. ამ საკითხს მიუძღვნა წიგნი: „ქართული ეკლესიის ავტოკეფალია" (1905, რუს. ენაზე). აქვს ისტ. და ლიტ. ხასიათის მნიშვნელოვანი გამოკვლევები და წერილები.

თხზ.: ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრ.: შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966.

კალის შენადნობები, კალის ფუძეზე დამზადებული შენადნობები. კ. შ-ში სხვადასხვა რაოდენობით შედის Pb, Sb, Cu, Zn, Cd და სხვა ელემენტები (იხ. ცხრილი). კალა მრავალ ლითონთან ქმნის ევტექტიკას. კ. შ-თვის დამახასიათებელია დაბალი დნობის ტემპ-რა, სიმტკიცე, სისალე, დამაკმაყოფილებელი კოროზიამედეგობა. ზოგიერთ კ. შ-ს კარგი ანტიფრიქციული თვისებები აქვს. მათ იყენებენ სასაკისრე მასალად, სარჩილად, მოსაკალად.

ზოგიერთი კალის შენადნობის შედგენილობა და დანიშნულება

ქიმიური შედგენილობა, %					დანიშნულება
Sn	Pb	Sb	Cu	სხვა კომპონენტები	
89	—	8	3	—	სასაკისრე შენადნობი (ბაბიტი)
83	—	11	6	—	იგივე
90	10	—	—	—	სარჩილი
61	39	—	—	—	„—"
50	32	—	—	18 Cd	„—"
90	—	—	—	10 Zn	სარჩილი, საფუთავი კილიტა

კალიტვა, თეთრი კალიტვა, დიდი კალიტვა, მდინარე რსფსრ როსტოვის ოლქში, მდ. ჩრდ. დონეცის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 308 *კმ*, აუზის ფართ. 10,6 ათ. *კმ*². სათავე აქვს დონის სერის სამხრ. კალთაზე. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. ქვემოთში სანაოსნოა. კ-ის შესართავთან არის ქ. ბელაია-კალიტვა.

კალიუმი (Kalium), K, ელემენტთა პერიოდული სისტემის I ჯგ. ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 19, ატ. მასა 39,098, სიმკვრივე 862 *კგ/მ*³, $t_{დნ}$ 63,55°C, $t_{დუღ}$ 760°C, მოვერცხლისფრო-თეთრი, მსუბუქი, ძლიერ რბილი და ადვილდნობადი ლითონი. შედგება ორი სტაბილური ^{39}K (93,08%), ^{41}K (6,91%) და სუსტი რადიოაქტიური ^{40}K (0,01%) იზოტოპისაგან.

კ-ის ზოგიერთი ნაერთი (მაგ., პოტაში) ცნობილია უძველესი დროიდან. 1807 ჰ. *დეივიმ* ოდნავ დანესტიანებული მყარი მწვავე კალის (KOH) ელექტროლიზით გამოყო კ. და უწოდა მას პოტასიუმი. ეს სახელწ. შემორჩენილია დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. 1809 ლ. გილბერტმა შემოიღო ტერმ. „კალიუმი" (არაბულიდან ალ-კალი-პოტაში); აღნიშნული სახელწ. მიღებულია გერმანიაში, ავსტრიაში, სკანდ. ქვეყნებსა და რუსეთში (1840-იდან).

კ. გავრცელებული ელემენტია. ლითოსფეროში მისი შემცველობა მასის მიხედვით 2,50%-ია. მაგმური პროცესების დროს კ., ისევე როგორც ნატრიუმი, გროვდება მყავა მაგმებში, რ-თაგან კრისტალდება გრანიტები და სხვ. ქანები. კ. შედის *მინდვრის შპატებისა* და *ქარსლების* შედგენილობაში. ქანების გამოფიტვის დროს კ. ნაწილობრივ წყალში გადადის, მაგრამ მას იქვე ითვისებენ ორგანიზმები და შთანთქავენ თიხები, რის გამოც მდინარეები კ-ით ღარიბია, ოკეანეშიც კ. უფრო ნაკლებად არის, ვიდრე ნატრიუმი. გასულ გეოლ. ეპოქებში, განსაკუთრებით პერმულ პერიოდში(დაახლ. 200 მლნ. წლის წინათ), ზღვის წყლის აორთქლების ბოლო სტადიაში NaCl დალექვის შემდეგ კრისტალდებოდა კ-ისა და მაგნიუმის მარილები—*კარნალიტი* KCl • $MgCl_2$ • $6H_2O$ და სხვ. ხშირად ნიადაგი კ-ის ხსნად მარილებს-მცირე რაოდენობით შეიცავს, რის გამოც საჭიროა მასში კ-ის სასუქების შეტანა. კ. ჰაერზე ადვილად იჟანგება, ამიტომ ინახავენ ბენზინში, ნავთში ან მინერ. ზეთში. ოთახის ტემპ-რაზე კ. ურთიერთქმედებს ჰალოგენებთან, სუსტი გაცხელებისას უერთდება გოგირდს, უფრო ძლიერი გაცხელებისას — სელენსა და ტელურს. წყალბადის ატმოსფეროში 200°C-ზე უფრო მაღალ ტემპ-რაზე გაცხელებისას წარმოქმნის ჰიდრიდს KH (რ-იც ჰაერზე თვითაალებადია). აზოტს უერთდება მხოლოდ ელექტრული განმუხტვის დროს და წარმოქმნის კ-ის აზიდს KN_3 და ნიტრიდს K_3N. გრაფიტთან გახურებისას წარმოქმნის კარბიდებს KC_8 (300°C-სას) და KC_{16} (360°C-სას). მშრალ ჰაერზე (ან ჟანგბადის არეში) მიიღება მოყვითალო-თეთრი ჟანგი K_2O და ნარინჯისფერი ზეჟანგი KO_2 (ცნობილია აგრეთვე ზეჟანგები K_2O_2 და K_2O_3).

კ. ენერგიულად, ზოგჯერ აფეთქებით რეაგირებს წყალთან და გამოყოფს წყალბადს ($2K+2H_2O=2KOH+H_2$). რეაგირებს აგრეთვე მჟავათა წყალხსნარებთან და წარმოქმნის მარილებს. კ. ნელა იხსნება ამიაკში და მიიღება ძლიერი აღმდგენი ლურჯი ფერის ხსნარი. გახურებისას კ. ართმევს ჟანგბადს ჟანგეულებსა და ჟანგბადიანი მჟავების მარილებს და წარმოქმნის K_2O და თავისუფალ ლითონებს (ან მათ ჟანგეულებს). კ. სპირტებთან იძლევა ალკოჰოლატებს, აჩქარებს ოლეფინებისა და დიოლეფინების პოლიმერიზაციას, ჰალოგენალკილებთან და ჰალოგენარილებთან წარმოქმნის კალიუმალკილებს და კალიუმარილებს. კ-ის ნაერთები ალს იისფრად ღებავს.

წარმოებაში კ-ს იღებენ მიმოცვლის რეაქციებით ლითონურ ნატრიუმსა და KOH ან KCl შორის. ლითონური კ-გან ძირითადად ამზადებენ კ-ის ზეჟანგს, რ-საც ფართოდ იყენებენ ჟანგბადის რეგენერაციისათვის (წყალქვეშა ნავებში და სხვ.). ნატრიუმის შენადნობებს 40—90% კ-თან, რ-ებიც ინარჩუნებენ თხევად მდგომარეობას ოთახის ტემპ-რაზე, იყენებენ სითბოს გადამტანებად ბირთვულ რეაქტორებში, აღმდგენად ტიტანის წარმოებაში და ჟანგბადის შთამნთქმელებად. კ-ის მარილების მთავარი მომხმარებელია სოფ. მეურნეობა (იხ. *კალიუმიანი სასუქი*).

კ. ორგანიზმში. კ. ერთ-ერთი ბიოგენური ელემენტია და ცხოველებისა და მცენარეების მუდმივ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მოზრდილ ადამიანს დღე-ღამეში 2—3 *გ* კ. სჭირდება, ჩვილ ბავშვს — 30 *მგ/კგ*. ცხოველის ორგანიზმი საშუალოდ 2,4 *გ/კგ* კ-ს შეიცავს. კ-ის იონები მონაწილეობენ ნერვებსა და კუნთებში ბიოელექტრული პოტენციალების გატარებასა და გენერაციაში, გულისა და სხვა კუნთების შეკუმშვათა რეგულაციაში, ხელს უწყობენ უჯრედში ოსმოსური წნევისა და კოლოიდების ჰიდრატაციის შენარჩუნებას, ააქტივებენ ზოგ ფერმენტს, გავლენას ახდენენ ცილების სინთეზზე. კ-ის მეტაბოლიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ნახშირწყლოვან ცვლასთან. კ-ის შემცველობას ხერხემლიანთა სისხლსა და ქსოვილებში არეგულირებენ თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონები — კორტიკოსტეროიდები. ორგანიზმის ბუნებრივი რადიოაქტიურობა (გამა-გამოსხივება) თითქმის 90%-ით გაპირობებულია ქსოვილებში ბუნებრივი რადიოიზოტოპის ^{40}K თანაობით.

მედიცინაში იყენებენ კ-ის აცეტატს, როგორც შარდმდენ საშუალებას (უმეტესად გულის უკმარობით გამოწვეული შეშუპების დროს) და კ-ის ქლორიდს—ორგანიზმში კ-ის ნაკლებობისას (ვითარდება ზოგიერთი ჰორმონული პრეპარატით ან სათითურათა მკურნალობის, სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვის, ზოგიერთი შარდმდენი საშუალებების ხმარებისა და სხვ. დროს). კ-ის პერქლორატი $KClO_4$ იხმარება თირეოტოქსიკოზის დროს, კალიუმპერმანგანატი $KMnO_4$ კი — ანტისეპტიკურ საშუალებად.

ლიტ.: Некрасов Б. В., Основы общей химии, т. 3, М., 1970.

კალიუმიანი სასუქი, მინერალური ნივთიერება, რ-საც იყენებენ ნიადაგის გასანოყიერებლად. კ. ს-ის ძირითადი წყაროა კალიუმის მარილების ბუნებრივი საბადოები. სსრკ-ში კალიუმის წარმოება დაიწყო 1929-იდან — ჩრდ. ურალში (სოლიკამსკი, ბერეზნიკი) კალიუმის საბადოების აღმოჩენის (1925) შემდეგ. კ. ს. ორგა-



სტ. იუგოსლავია (I). **1.** კარსტული ლანდშაფტი ქ. ტიტოგრადის მახლობლად. **2.** მდინარეების დუნაისა და სავის შესართავი. **3.** ბლეიდის ტბა სლოვენიის მთებში. **4.** კულტურული ლანდშაფტი ქ. ზადარის მახლობლად. **5.** გალიჩნიკი. მაკედონიის ტიპური სოფელი. **6.** სპლიტი. ნავსადგური ადრიატიკის ზღვის ნაპირას.

5 6



სტ. ოუგოსლავია (II). **1.** ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. სტუდენიცის მონასტერი. სერბია. 1183–96. **2.** წმ. ანასტა
ტაძარი. ზადარი. 1285. **3.** მთავარი ფოსტა. წინა პლანზე მოქანდაკე ტ. როსანდიჩის სკულპტურული ჯგუფი. 1930-იანი წლე
4. ადმინისტრაციული შენობა. ნ. დ ო ბ რ ო ვ ი ჩ ი. 1957–62. **5.** იულინო-ბრდოს საცხოვრებელი კომპლექსი (ფრაგმენტი). ბ
გრადი მ. ლ ო ი ა ნ ი ცა, ბ. ი ო ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი, პ. ცა გ ი ჩ ი. 1967–70. **6.** ოსტატი რ ა დ ო ვ ა ნ ი „ქრისტეს განბანვ
ტაძრის პორტრეტის რელიეფი. ტრიგორი. 1240. **7.** ა. ა ვ გ უ ს ტ ი ნ ჩ ი ჩ ი. „დაჭრილი მოჰყავთ". ბელგრადი. 19
8. ს. ს ტ ო ი ა ნ ო ვ ი ჩ ი. ნ. ვულიჩის პორტრეტი. ეროვნული მუზეუმი. ბელგრადი. 1944. **9.** ნ. ბ ო ჟ ი დ ა რ ე ვ ი ჩ
„წმ. მარტინი". ღვთისმშობლის ეკლესიის ტრიპტიქის ფრაგმენტი. დანჩიში. დუბროვნიკი. 1517. **10.** კ. ხ ე გ ე დ უ შ ი ჩ ი. „
დრავაზე გადასვლა". 1954. **11.** ანგელოზი. მილეშევის მონასტრის ეკლესიის ფრესკა. დაახლ. 1235–36. ფრაგმენტი. **12.** კად
ფილმიდან „ჩვენ მაინც ვცოცხლობთ". რეჟ. ტ. იმაი. 1951. **13.** სცენა იუგოსლავიის დრამატული თეატრის სპექტაკლი
მ. გორკის „ფსკერზე". 1953.

სტ. *კავკასია.* **1.** კავკასიონის მთავარი ქედი იალბუზის აღმოსავლეთით. **2.** ბაქსანის ხეობა. **3.** ერთ-ერთი გულკანი სამსარის ქედის ჩრდილოეთ ნაწილში. **4.** რაზვალკის ლაკოლითი. პიატიგორსკის მიდამოები. **5.** ხეობა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზე და იალბუზის მთა. **6.** შცირე კავკასიონის ტყიანი მოები. თრიალეთის ქედი ბორჯომის აღმოსავლეთით.





სტ. *კავკასიონი.* **1.** ცენტრალური კავკ
უნი (4454 *მ.*). გადალებულია იალბუზის
4. მწვ. უშბა

4

ღილოეთიდან. **2.** ბაბისმთა. დონლუზირ-
3. მწვ. დიხთაუ (5204 *მ*) ჩრდილოეთიდან.
ბულის მყინვარი.



სტ. *კამპუჩია.* **1.** კამპონგსაომი—ქვეყნის მთავარი ნავს
ბკორ-ვატის ტაძარი. ანგკორი. დაახლ. 1113—50. **4.** ტ
ტაძრიდან. ანგკორ-ბორეის მახლობლად. VI





სტ. *კამერუნი*. **1.** ტბა ტიზონი ქ. ნგაუნდერეს მახლობლად. **2.** ეროვნული პარკი ვაზა. **3.** ლანდშაფტი ქვეყნის დას. ნაწილში. უკანა პლანზე—მთა კამერუნი. **4.** იაუნდე. ქალაქის ერთ-ერთი ქუჩა. **5.** ედეა. ალუმინის ქარხანა. **6.** ბანანის გადმოტვირთვა ნავიდან. **7.** კამერუნელი მოქარგულ ეროვნულ ტანსაცმელში. **8.** ქოხის მოჩუქურთმებული ხის კარი. ბამილეკეს ხალხი. **9.** სამარი ზარების ხის ენები. ბამუმის ხალხი. **10.** წინაპართა ხის ფიგურები. ეკოის ხალხი. სსრ მეცნ. აკად. ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი. ლენინგრადი. **11.** ქოხი. მუსგუს ხალხი.











სტ. კამპუჩია. **1.** კამპონგსაომი—ქვეყნის მთავარი ნავსადგური. **2.** პნომპენი. ქალაქის საერთო ხედი. წინა პლანზე სავაჭრო ცენტრი. **3.** ანგკორ-ვატის ტაძარი. ანგკორი. დაახლ. 1113—50. **4.** ტაძარი ბანთეაი-სრეი ანგკორის მახლობლად. დაიწყო 967. **5.** ბუდას თავი რომლოკის ტაძრიდან. ანგკორ-ბორეის მახლობლად. VI ს. **6.** ქალის ფიგურა (ფრაგმენტი). VII ს. გიმეს მუზეუმი. პარიზი.

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

სტ. კანდელაკი ნ. **1.** აკად. ნ. მუსხელიშვილის პორტრეტი. 1954. ბრინჯაო. **2.** საქ. სსრ სახ. არტისტის ნ. ვაჩნაძის პორტრეტი. 1951. ტონირებული თაბაშირი. **3.** სსრკ სახ. მხატვრის ლ. გუდიაშვილის პორტრეტი. 1935. ქვა. **4.** იმერელი მალაროელი. 1938. ბრინჯაო. **5.** ქალის ტორსი. 1939. ტონირებული თაბაშირი. **6.** ქალის ფიგურა. 1948. თიხა. **7.** საბჭოთა კავშირის გმირის დ. ბაქრაძის პორტრეტი. 1945—47. თაბაშირი. **8.** საბჭოთა კავშირის მარშალის თ. ტოლბუხინის პორტრეტი. 1949. ბრინჯაო. **9.** შ. დადიანის პორტრეტი. 1941. ტონირებული თაბაშირი. **10.** არმიის გენერლის ა. ანტონოვის პორტრეტი. 1952. ბრინჯაო. **11.** საქ. სსრ სახ. არტისტის ა. კვანტალიანის პორტრეტი. 1955. ბრინჯაო. **12.** საქ. სსრ სახ. არტისტის ა. თოიძის პორტრეტი. 1937. ტონირებული თაბაშირი. (1,2,3,4,7,8,10,11—საქ. ხელოვნების მუზეუმი. თბილისი; 5,6,12 — მხატვრის ოჯახის კუთვნილება, 9—ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი).

რია: კალიუმის ნედლი მარილები, რ-საც იღებენ ბუნებრივი კალიუმის მარილების—სილვინიტის, კაინიტის და სხვ. გადამუშავებით (დახარისხებით, დაფხვნით, დაფქვით), და კონცენტრირებული კ. ს.—კალიუმქლორიდი, კალიუმსულფატი, 30%-იანი და 40%-იანი კალიუმის მარილები (კალიუმქლორიდისა და წმინდად დაფხვნილი ბუნებრივი კაინიტის ან სილვინიტის ნარევი), აგრეთვე პოტაში, კალიუმმაგნეზია, ნაცარი და სხვ.

კ. ს-ებს ჩვეულებრივ ფოსფორიან ან აზოტიან და ფოსფორიან სასუქებთან ერთად იყენებენ. ამით კალიუმით ღარიბ ნიადაგებზე მოსავლიანობა მნიშვნელოვნად იზრდება. მცენარისათვის კ. ს-ის საჭიროება უფრო მეტად შეიმჩნევა ტყის რუხყავისფერ, გაეწრებულ ნიადაგებზე და გამოტუტვილ შავმიწებზე, ტენიანი სუბტროპიკების წითელმიწებზე, მეტადრე, როცა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს ხანგრძლივად ანოყიერებენ მხოლოდ აზოტ-ფოსფორით. შედარებით დიდი რაოდენობითაა საჭირო კალიუმი კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, ძირხვენების, თამბაქოსა და ზოგი სხვა კულტურისათვის. ვაზის, კარტოფილის, ლობიოს, თამბაქოსა და სხვ. გასანოყიერებლად უკეთეს შედეგს იძლევა კალიუმმაგნეზია, აგრეთვე კალიუმის სულფატი, კალიუმის გვარჯილა.

კ. ს-ების დოზა დამოკიდებულია ნიადაგურ პირობებზე, მცენარის თავისებურებაზე, სასუქის ფორმაზე და მერყეობს 45 *კგ*-იდან 150 *კგ*-მდე ჰა-ზე. კ. ს-ით განოყიერებისას იზრდება მოსავლიანობა (საშ. *ც/ჰა*-ზე): შაქრის ჭარხლისა 35—40-ით, კარტოფილისა 20—33-ით, საშემოდგომო მარცვლეულის 3—5-ით, საგაზაფხულო მარცვლეულისა 2—3-ით, თივისა (ნათესი ბალახის) 20—33-ით, ბუნებრივი მდელოს თივისა 8—18-ით და სხვ. კ. ს-ების შემდგომქმედება გრძელდება 3—4 წელი.

საქართვ. ნიადაგები კალიუმით უფრო მდიდარია, ვიდრე აზოტით და ფოსფორით. რესპ. ზონალური აგროქიმ. ლაბორატორიების მონაცემებით, კალიუმით საშ. და ძლიერ მდიდარი ნიადაგები შეადგენენ სას.-სამ. სავარგულების მთელი ფართობის 43,4%-ს. მაგრამ როცა ნიადაგს სისტემატურად მხოლოდ აზოტ-ფოსფორით ანოყიერებენ, დროთა განმავლობაში ნიადაგში ადვილადმოძრავი კალიუმის რაოდენობა კლებულობს და საჭირო ხდება კ. ს-ების დამატება. ამის შესახებ სათანადო ინფორმაციას იძლევა აგროქიმიური კარტოგრამა (იხ. *კარტოგრამა აგროქიმიური*), რ-ის საფუძველზე ადგენენ ნიადაგის კალიუმით (ასევე ფოსფორით) განოყიერების დოზას. მაგ., თუ ნიადაგში გაცვლითი კალიუმის შემცველობა 100 *გ*-ზე 6—8 *მგ*-ს უდრის, მაშინ ჩაის პლანტაცია აზოტ-ფოსფორთან ერთად კ. ს-ითაც უნდა განოყიერდეს.

ლიტ.: სარიშვილი ი., მენაღარიშვილი ა., ნაკაიძე ი., აგროქიმია, თბ., 1960; Агрономическая химия, под ред. В. М. Клечковского и А. В. Петербургского, М., 1967. *ი. სარიშვილი.*

კალიუმის ჰიდროჟანგი, მწვავე კალი, KOH, არაორგანული ნაერთი, ძლიერი ტუტე; უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 380°C, სიმკვრივე 2120 *კგ/მ*³. წყალში კარგად იხსნება და სითბოს გამოყოფს. ჰაერზე შთანთქავს H_2O და CO_2 და თანდათან გარდაიქმნება *კალიუმკარბონატად*. კ. ჰ. შლის ქაღალდს, შალს, აბრეშუმსა და სხვა ორგ. წარმოშობის მასალას. კანზე მოხვედრისას იწვევს ძლიერ სიდამწვრეს. მიიღება *კალიუმქლორიდის* ელექტროლიზით. კ. ჰ-ს იყენებენ თხევადი საპნის წარმოებისას, კალიუმის მარილების მისაღებად, ტუტიან აკუმულატორებში და სხვ.

კალიუმკარბონატი, ნახშირმჟავა კალიუმი, პოტაში, K_2CO_3, არაორგანული ნაერთი, მარილი; უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 89,4°C, სიმკვრივე 2300 *კგ/მ*³. ძლიერ ჰიგროსკოპიულია. 100 *გ* H_2O-ში 100°C-ზე იხსნება 156 *გ* კ.; ხსნარს აქვს ტუტე რეაქცია. კ-ს ღებულობენ კალიუმის ბუნებრივი მარილებისგან. იყენებენ თხევადი საპნისა და ბროლის მინის დასამზადებლად, ღებვისას, ფოტოგრაფიაში, *კალიუმიან სასუქად* და სხვ.

კალიუმმაგნეზია, კალიუმ-მაგნიუმის სულფატი, $K_2SO_4 \cdot MgSO_4$, კალიუმ-მაგნიუმიანი სასუქი. რუხი კრისტალებია, შეიცავს 24—26% K_2O-ს და 11—18% MgO-ს. ადვილად იხსნება წყალში, ახასიათებს სუსტი ჰიგროსკოპიულობა, არ იბელტება. იხ. *კალიუმიანი სასუქი*.

კალიუმნიტრატი, კალიუმის გვარჯილა, აზოტმჟავა კალიუმი, KNO_3, არაორგანული ნაერთი, მარილი; უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 339°C, სიმკვრივე 2110 *კგ/მ*³. წყალში კარგად იხსნება. კ-ს ღებულობენ HNO_3-ის ურთიერთქმედებით K_2CO_3 ან KCl-თან, აგრეთვე სხვა ხერხებით. იყენებენ მინის წარმოებაში, შავი *დენთის* დასამზადებლად, სოფ. მეურნეობაში—*კალიუმიან სასუქად* და სხვ.

კალიუმპერმანგანატი, $KMnO_4$, არაორგანული ნაერთი, მარილი; მუქი იისფერი კრისტალები, სიმკვრივე 2703 *კგ/მ*³. წყალში კარგად იხსნება, ძლიერი მჟანგავია. მედიცინაში იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას, დამწვრობისას და სხვ. იხ. აგრეთვე *ჰერმანგანატები*.

კალიუმსულფატი, გოგირდმჟავა კალიუმი, K_2SO_4, არაორგანული ნაერთი, მარილი; უფერული კრისტალები, $t_{დნ}$ 1074°C, სიმკვრივე 2660 *კგ/მ*³. 100 *გ* H_2O-ში 100°C-ზე იხსნება 24,1 *გ* კ. იყენებენ შაბის, პოტაშის მისაღებად, სოფ. მეურნეობაში — *კალიუმიან სასუქად*.

კალიუმქლორატი, ბერთოლეს მარილი, $KClO_3$, არაორგანული ნაერთი, უფერული კრისტალები. მანგანუმის ორჟანგთან (კატალიზატორი) გაცხელებისას კ. იშლება და გამოყოფს ჟანგბადს. კ. მომწამვლელია; ღებულობენ KCl-ის ელექტროლიზით. იყენებენ ასანთის წარმოებასა და პიროტექნიკაში; იხ. *ქლორატები*.

კალიუმქლორიდი, KCl, მარილი; უფერული კრისტალები, სიმკვრივე 1989 *კგ/მ*³, $t_{დნ}$ 768°C. 100 *გ* H_2O-ში 100°C-ზე იხსნება 56,6 *გ* კ. კ-ს სოფ. მეურნეობაში იყენებენ *კალიუმიან სასუქად*, აგრეთვე მედიცინაში (გულის რითმის დარღვევისას) და სხვ. ბუნებაში მოიპოვება მინერალ *სილვინის* სახით.

კალიუმციანიდი, იხ. სტ. *ციანიდები*.

კალიფორნია, ქვემო კალიფორნია (Baja California), ნახევარკუნძული ჩრდ. ამერიკის დას. ნაწილში, მექსიკაში. ეკვრის კალიფორნიის ყურე და წყნარი ოკეანე. სიგრძე დაახლ. 1200 *კმ*, სიგანე 50—250 *კმ*, ფართ. დაახლ. 144 ათ. *კმ*². ნაპირები ფლატოვანია. ზოგან — ლაგუნური. ნ.-კ-ზე გადაჭიმულია ვულკ. და კრისტ. მასივების მწკრივი, მაქს. სიმაღლე 3078 *მ* (ლა-ენკანტადა), დას. კიდის გასწვრივ საფეხურებრივი ზეგნები (სიმაღლე 1000—1500 *მ*), ზღვისპირა დაბლობები და სიერა-ვისკაინოს მოკლე ქედია. ჰავა ჩრდ-ით სუბტროპიკულია, სამხრ-ით—ტროპიკული. ნალექები 250 *მმ*-ზე ნაკლებია წელიწადში. სანაპიროზე ხშირია ნისლი. გავრცელებულია უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა. მთაში ალაგ-ალაგ ტყეებია.

კალიფორნია (California), შტატი აშშ-ში, წყნარი ოკ. სანაპიროზე, მექსიკის საზღვართან. ფართ. 411 ათ. *კმ*². მოსახლ. 21,1 მლნ. კაცი (1975, I ადგილი აშშ-ში; 1900 წ. — 1,5 მლნ., 1950 წ. — 10,6 მლნ., 1967 წ. — 19,7 მლნ.). ადმ. ც. — ქ. საკრამენტო. მოსახლ. დაახლ. 90% ქალაქში ცხოვრობს. დიდი ქ-ებია: ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო, სან-დიეგო. ზედაპირი მთიანია: დას-ით აღმართულია სანაპირო ქედები (სიმაღლე 2500 *მ*-ზე მეტი), აღმ-ით — სიერა-ნევადა (მთა უიტნი, 4418 *მ*). შუა ნაწილი უჭირავს კალიფორნიის ველს, რ-ზეც მიედინება მდ-ები საკრამენტო და სან-ხოაკინი. უკიდურეს აღმ. და სამხრ.-აღმ. ნაწილში ძოპავეს ქვიშიანი უდაბნო და ღრმა ტექტონ. ღრმულებია (სიკვდილის ველი, ტბა სოლტონ-სი); ხშირია მიწისძვრა. სანაპიროზე ხმელთაშუა ზღვის ტიპის ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული, ნოტიო ზამთარი. გავრცელებულია მთის ფიჭვის ტყე და ხეშეშფოთლიანი მარადმწვანე ბუჩქნარი. კ-ის ტერიტორიაზე რამდენიმე ეროვნ. პარკია.

ეკონ. თვალსაზრისით კ. აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი და ყველაზე სწრაფად განვითარებადი შტატია. მოიპოვება ნავთობი და ბუნებრივი აირი, აგრეთვე ოქრო, ვერცხლისწყალი, კალიუმის მარილი, რკინის მადანი და სხვ. არის ელექტროსადგურები. კ. საშ. წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრია. წამყვანია საავიაციო, რაკეტულ-კოსმ. და რადიოელექტრონული მრეწველობა. განვითარებულია აგრეთვე ხავსობგადასამუშ. და ქიმ. მრეწვ., გემთმშენებლობა, ავტომობილების აწყობა და მანქანათმშ. სხვა დარგები, შავი მეტალურგია. შტატი I ადგილზეა აშშ-ში კვების (უმთავრესად საკონსერვო) მრეწველობით. სამხრ. კ-ში (ჰოლივუდი და ლოს-ანჯელესის სხვა გარეუბნები) განვითარებულია კინომრეწველობა.

სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის დაახლ. 2/3-ს შეადგენს ხილი, ციტრუსები, ბოსტნეული და ბამბა. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს, ცხვარს. მისდევენ თევზჭერას, ხე-ტყის დამზადებასა და ხის დამუშავებას. განვითარებულია ტურიზმი. დიდ როლს თამაშობს სარკინიგზო, საავტ. და საზღვ. ტრანსპორტი. მთავარი ნავსადგურებია: სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი. კ-ში განლაგებულია აშშ-ის სამხ. ბაზები.

ევროპელები კ-ს XVI ს-იდან იცნობდნენ; XVIII ს-ში ესპანელებმა დაიწყეს კ-ის კოლონიზაცია და თითქმის მთლიანად გაანადგურეს ადგილ. მოსახლ.—ინდიელები. მექსიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1821) შემდეგ კ. მექსიკის შემადგენლობაში შევიდა. მექსიკის წინააღმდეგ აშშ-ის დამპყრობლური ომის (1846 — 48) შედეგად აშშ-ს შეუერთდა, 1850-იდან შტატია.

კალიფორნიის ვალი, გაშლილი ხეობა აშშ-ის სამხრ.-დას. ნაწილში, კალიფორნიის შტატში. აღმ-ით ესაზღვრება სიერა-ნევადის ქედი, დას-ით — სანაპირო ქედები. მდებარეობს 20—160 *მ* სიმაღლეზე. სიგრძე 800 *კმ*, სიგანე 80 *კმ*-მდე. კ. ვ. ცარცული და კაინოზოური დანალექი ქანებით ამოვსებული ტექტონ. ღრმულია. ზედაპირი სუსტად ტალღოვანი ვაკეა. ჰავა სუბტროპ., კონტინენტურია, ხმელთაშუა ზღვის ტიპისა. ნალექები ჩრდ-ით 1000 *მმ*, სამხრ-ით 150 *მმ* წელიწადში. მთავარი მდ-ებია საკრამენტო (ჩრდ.) და სან-ხოაკინი (სამხრ.). კ. ვ-ის ჩრდ. ნაწილში გავრცელებულია სუბტროპ. სტეპი, სამხრ-ით ნახევარუდაბნოა. მისდევენ სარწყავ მიწათმოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას, სამხრ-ით — მესაქონლეობას. არის ნავთობის საბადოები. კ. ვ-ზეა ქ-ები საკრამენტო, სტოქტონი, ფრესნო.

კალიფორნიის ინდიელები, თანამედროვე კალიფორნიის შტატის (აშშ) მკვიდრი მოსახლეობა, რ-იც აერთიანებს რამდენიმე სხვადასხვა ტომს. საერთო რაოდ. დაახლ. 40 ათ. კაცი (1970). მეურნეობის მთავარი დარგები იყო შემგროვებლობა, თევზჭერა, ნადირობა. კალიფორნიის კოლონიზაციის (ესპანელები, შემდეგ ამერიკელები) შედეგად მრავალი ტომი განადგურდა, დანარჩენები რეზერვაციებში



კალიფორნიის ფარიანა: 1 — დედლის ფარი; 2 — მამლის ფარი; 3 — დედლის სხეული: 4 — ცოცავი მატლი (მოხეტიალე); 5 — კალიფორნიის ფარიანასაგან დაზიანებული ნაყოფი.



კალიხანა. მავზოლეუმი. XVII ს.

ი. კალმანი.

შეასახლეს. ჰ. O-ის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია, დადიან ქირაზე, მისდევენ წვრილ სოფ. მეურნეობას.

კალიფორნიის უნივერსიტეტი (California University), აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაარსდა 1868 ოკლენდში, სან-ფრანციკოს მახლობლად. უნ-ტი აერთიანებს 9 საუნივერსიტეტო ქალაქს (კემპუსს, რ-თაგან თითოეული, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სასწ. დაწესებულებაა), 6 სამეცნ.-კვლ. სადგურს, 9 სას.-სამ. საცდელ სადგურს, 100 კოლეჯს და ბევრ სხვ. დანაყოფს. დიდი კემპუსებია ბერკლი (დაარსდა 1872), დეივისი (1905), ლოს-ანჯელესი (1919), სანტა-ბარბარა (1891); ჰ. შ-ს განყ-ბები აქვს აგრეთვე ერვინში (1965), რივერსაიდში (1907), სან-დიეგოში (1912), სან-ფრანცისკოში (1873), სანტა-კრუსში (1965). 1976 უნ-ტში სწავლობდა 100 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 6 ათ. მასწავლებელი, მ. შ. 3 ათ. პროფესორი. უნ-ტის ბ-კებში იყო დაახლ. 10 მლნ. ტ.

კალიფორნიის ფარიანა (Quadraspidiotus perniciosus), მწერი ფარიანების ოჯახისა. საკარანტინო მავნებელია. მოზრდილი მწერი დაფარულია ფარით. დედლის ფარიც და ლიმონისფერი სხეულიც მრგვალია. მამალს მოგრძო ფარი, ღია ნარინჯისფერი სხეული, ფრთები, კიდურები და ულვაშები აქვს. ჰ. ფ. გავრცელებულია ყველგან, სსრკ-ში — სამხრ. ევროპულ ნაწილში, კავკასიაში, შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. აზიანებს 200-ზე მეტი სახეობის ხეხილს, დეკორ. მცენარეებსა და ტყის ფოთლოვან ჯიშებს. ძლიერ დაზიანებული ხე ხმება. დედალი ჰ. ფ. 100—300 მატლს შობს. წელიწადში 1—4 თაობას იძლევა. ბრძოლის ღონისძიებანი: ჯანსაღი მცენარის დარგვა, შტამბსა და ტოტებზე მკვდარი ქერქის მოცილება, ვარჯის გამეჩხრება, ენტომოფაგებისა და ინსექტიციდების გამოყენება და სხვ. *ზ. პაჯიბეილი.*

კალიფორნიის ყურე, ყურე წყნარ ოკეანეში, ჩრდ. ამერიკის დას. ნაპირთან. ოკეანისაგან გამოყოფილია კალიფორნიის ნ.-კ-ით. აქვს ნახევრად დახშული ზღვის რეჟიმი. სიგრძე 1240 *კმ*, სიგანე 220 *კმ*-მდე, ფართ. 177 ათ. *კმ*², საშ. სიღრმე 818 *მ*, მინ.— 34 *მ*, მაქს. — 3292 *მ*. ბევრია კუნძული. პავა სუბტროპიკულია. ზამთარში წყლის ტემპ-რა ჩრდ.-დას. ნაწილში 15°C, სამხრ.-აღმ-ში 21°C; ზაფხულში 28°C-მდე. მარილიანობა 35,1—35,5‰, ჩრდ-ით (მდ. კოლორადოს შესართავთან) 30‰. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 2,9 *მ*-მდე. მდიდარია თევზით. ჰ. ყ-შია ნავსადგური გუაიმასი (მექსიკა).

კალიფორნიუმი (Californium), Cf, ხელოვნურად მიღებული *აქტინოიდების* ოჯახის რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი. ატ. ნომერი 98. სტაბილური იზოტოპები არა აქვს. ჰ. მიღებულია ამერ. მეცნიერების ს. ტომფსონის, ა. გიორსოს, კ. სტრიტის და გ. სიბორგის მიერ ^{242}Cm (α, 2n)^{244}Cf ბირთვული რეაქციით (1950). ჰ-ის იზოტოპების მასური რიცხვებია 242—256. მისი პირველი მყარი ნაერთები $^{249}Cf_2O_3$ და ^{249}CfOCl მიღებულია 1958. ჰ-ის ჟანგვის ხარისხია +3 ან +2. ^{252}Cf პრეპარატებს იყენებენ ნეიტრონების წყაროდ.

კალიქს-ელვი (Kalix älv), მდინარე ჩრდ. შვეციაში. სიგრძე მდ. კაიტუმ-ელვის სათავიდან 450 *კმ*, აუზის ფართ. 17,9 ათ. *კმ*². სათავე აქვს კებნეკაისეს მთის კალთებზე. ჩანჩქერებიანია (ცნობილია პახაკურკიო). ზემოთში კვეთს რამდენიმე ტბას. ერთვის ბოტნიის ყურეს. გაყინულია ნოემბრიდან მაისის დასაწყისამდე. ხეტყის დაცურება. ჰესი.

კალიქსტუს III (Calixtus), ერისკაცობაში ალფონსო ბორჯა (Alfonso Borgia) (1378, ხატივა, ვალენსიის მახლობლად,— 6. VIII. 1458), რომის პაპი 1455—58. 1429-იდან ვალენსიის ეპისკოპოსი. დიდხანს იყო ნეაპოლის მეფის ალფონს V-ის მრჩეველი. 1444-იდან კარდინალი. ოსმალთა წინააღმდეგ მოაწყო წარუმატებელი ჯვაროსნული ლაშქრობა. ჰ. III-ს ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეებთან (ცნობილია 1457 წ. 19 დეკ. დათარიღებული წერილი). მას საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთა შესახებ მოახსენა ფრანცისკელმა ლუდოვიკო ბოლონიელმა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902, გვ. 50.

კალიში (Kalisz), ქალაქი პოლონეთში, მდ. პროსნის ნაპირზე. კალიშის სავოევოდოს ადმ. ცენტრი. 93,3 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო მრეწვ. (აბრეშუმი, ხავერდი, ტიული, ტრიკოტაჟი) ცენტრი. მანქანათსაშ., კვების მრეწველობა. პიანინოების, პლასტ. ნაკეთობათა წარმოება. ცნობილია II ს-იდან.

კალიხანა, სოფელი ქ. შემახის მახლობლად (აზერბ. სსრ), სადაც შემონახულია XVII ს. მემორიალური კომპლექსი. კომპლექსში შედის: პირამიდისებრი კარვებით გადახურული ქვის რვაწახნაგა 8 მავზოლეუმი. ყოველი მათგანი იდგა გალავნით შემოზღუდულ, კარიბჭიან ცალკე ეზოში. ერთ-ერთ მავზოლეუმზე აღნიშნულია მშენებლობის თარიღი და ოსტატის სახელი (1663—64, აბდულ აზიმი).

კალკი (ფრანგ. calque), ლივი, გამჭვირვალე ქაღალდი ან ქსოვილი, რ-საც ხაზვის დროს იყენებენ. ჰ. ორგვარია: 1. ნახაზის ტუშით პირგადასაღები და შუქპირის მისაღები (ქაღალდი ან ქსოვილი), რ-იც დაკალანდრებულია და დამუშავებულია აფსკწარმომქმნელი საზეთავი ნივთიერებებით. 2. ფანქრით სახაზი და ამ ნახაზიდან უშუალო პირგასამრავლებელი (გამჭვირვალე არადაკალანდრებული) ქაღალდი.

კალკი, სიტყვის მნიშვნელობის სესხება ერთი ენიდან მეორეში. მაგ., ლათ. ენაში სახსროვანი ცხოველის—كيوس—სახელი cancer გამოყენებულია ავთვისებიანი სიმსივნის სახელწოდებად. ლათინურის გავლენით იმავე ცხოველის სახელი—გერმ. Krebs, რუს. рак და ქართ. კიბო აღნიშნავს ავთვისებიან სიმსივნესაც. ჰ. ეწოდება აგრეთვე სიტყვის (ან შესიტყვების) აგებას სხვა ენის ყაიდაზე. ამგვარი წარმოშობისაა, მაგ., ქართ. თანა-გრძნობა (რუს. со-чувствие, გერმ. Mit-gefühl, ბერძნ. sym-patheia).

ბ. ფოჩხუა.

კალკულაცია (ლათ. calculatio<calculo — ვითვლი), პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს ერთეულის თვითღირებულების გამოთვლა. ჰ. ფულად ფორმაში გამოხატავს წარმოების დანახარჯს პროდუქციის ერთეულის წარმოებასა და რეალიზაციაზე.

გეგმური ჰ. დგება დასაგეგმი პერიოდისათვის წარმოების დანახარჯის პროგრესული ნორმების საფუძველზე. განგარიშგებითი ჰ., რ-იც ალრიცხვის მონაცემების საფუძველზე გამოითვლება, ახასიათებს დანახარჯის ფაქტობრივ დონეს. ნორმატიულ ჰ-ს საფუძვლად უდევს მიმდინარე მოქმედი ნორმები, რ-ებიც ძირითადად დანახარჯის არსებულ დონეს ახასიათებენ. საპროექტო ჰ. პერსპექტიული საგეგმო ჰ-ის სახესხვაობაა, რ-იც აუცილებელია კაპიტ. დაბანდებებისა და ახ. ტექ. ეფექტიანობის განსაზღვრისათვის. ჰ. ეკონომიის რეჟიმისა და მანეთით კონტროლის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ჰ-ში დანახარჯების კლასიფიკაცია ხდება მათი დანიშნულების მიხედვით. სამრეწვ. საწარმოებში გამოიყოფა სხვადასხვა სახეობის დანახარჯი: უშუალოდ ტექნოლ. პროცესთან დაკავშირებული დანახარჯი (ნედლეული და მასალა, სათბობი და ენერგია, საწარმოს მუშების ხელფასი და სოც. დაზღვევის ანარიცხები); დანახარჯი მოწყობილობის შენახვასა და ექსპლუატაციაზე; საერთო-სამეურნეო და ადმ. სამმართველო ხარჯი; სხვა საწარმოო ხარჯები. საანგარიშო ჰ-ში გამოიყოფა არასაწარმოო დანახარჯი (დანაკარგი წუნისაგან). საწარმოს მასშტაბით ჰ. მოიცავს აგრეთვე არასაწარმოო დანახარჯს (დანახარჯი რეალიზაციაზე).

ჰ-ში შემავალი დანახარჯები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ დანახარჯებად.

კალკუტა, ქალაქი ინდოეთში, განგის დელტაში, განგის ერთ-ერთი ტოტის — მდ. ჰუგლის ნაპირზე, ბენგალის ყურიდან 140 *კმ*. დას. ბენგალის შტატის ადმ. ცენტრი. ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონ. და კულტ. ცენტრი. ჰ. დიდი და სწრაფად მზარდი კონურბაციის—დიდი ჰ-ის ბირთვია. დიდი ჰ. მცხოვრებთა რიცხვით (8 მლნ-ზე მეტი მცხ., 1978) I ადგილზეა ინდოეთში. მოსახლ. 1/3-ზე მეტი არაბენგალელები, უმთავრესად ბიჰარები არიან.

ჰ. დააარსა ინგლ. ოსტინდოეთის კომპანიამ 1690 წ. 1773-იდან 1911-მდე იყო ინგლ. კოლონ. ადმინისტრაციის მთავარი ცენტრი (1911—47 — დელი) და ძირითადი ნავსადგური, რ-ის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ინგლ. კოლონ. ვაჭრობა ინდოეთთან. XIX ს. შუა წლებიდან დაიწყო დიდი ფ-კა-ქ-ნების მშენებლობა. ჰ. მუშათა და მემარცხენე დემოკრ. მოძრაობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.

მოხერხებულმა გეოგრ. მდებარეობამ ხელი შეუწყო ჰ-ის ეკონ. განვითარებას. იგი სატრანსპ. კვანძი და ქვეყნის უდიდესი (ბომბეის შემდეგ) საზღვ. ნავსადგურია (ტვირთბრუნვა 9—10 მლნ. ტ წელიწადში). მდ. ჰუგლის ნაპირზე, ჰ-ის ქვემოთ, აგებულია ნავსადგურ-თანამგზავრი ჰალდია. ჰ-ში არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი (დამდამი).

დიდი ჰ-ის მრეწვ. მთავარი დარგია ჯუთის მრეწვ. (ინდ. მთლიანი პროდუქციის 9/10, მსოფლიო პროდუქციის თითქმის 1/2). განვითარებულია ლითონდამუშავება და სხვადასხვა სახის მანქანათმშ. (ინდ. მთლიანი პროდუქციის დაახლ. 1/4, მ. შ. სამრეწვ. მოწყობილობის წარმოება, ელექტროხელსაწყოთმშენებლობა, გემთმშენებლობა და რემონტი, ავტომობილების, მოტოციკლეტების, ელოსიპედების წარმოება და აწყობა, ჩარხთმშენებლობა და სხვ.), პლასტმასისა და რეზინის ნაკეთობათა, ქიმ.-ფარმაცევტული პრეპარატების, საღებრების წარმოება, ბამბეულის, ტრიკოტაჟის, მინის, ტყავ-ფეხსაცმლის, პოლიგრ., მრავალდარგოვანი კვების მრეწველობა. ჰ-ის ისტ. ცენტრი—ციხესიმაგრე (უილიამის ფორტი, XVIII ს.), რ-იც ჰუგლის აღმ. ნაპირზე, მაიდანის პარკში მდებარეობს, — ქალაქს ორ ნაწილად ყოფს: ერთში ევრ. კვარტალებია — კერძო საცხოვრ. სახლები, სახელმწ. შენობები, უნ-ტი; მეორეში — სამრეწვ. და სავაჭრო დაწესებულებები და მუშათა კვარტალები. ჰ. დიდი სამეცნ. და კულტ. ცენტრია. აქ არის უნ-ტი და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნ.-კვლ. დაწესებულებანი, მ. შ. ინდ. სტატისტ. ინ-ტი და სხვ., ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1902). ინდ. მუზეუმი (1814), ვიქტორიას მუზეუმი (1906). ბოტან. ბაღი.

კალმანი (Kalman) იმრე (გერმ. ემერიხ) (24. X. 1882, შიოფოკი, — 30. X. 1953, პარიზი), უნგრელი კომპოზიტორი. სწავლობდა ბუდაპეშტის მუსიკის აკადემიაში ი. კესლერთან. ჰ-ის პირველივე ოპერეტა „საშემოდგომო მანევრები" დიდი წარმატებით დაიდგა ევროპისა და აშშ-ის მრავალ თეატრში (პირველად 1908, ბუდაპეშტში). ოპერეტებმა „ჯარისკაცი შვებულებაში" (გერმ. ვარიანტი „კარგი ამხანაგი"), „ბოშა-პრემიერმა" და განსაკუთრებით „ჩარდაშის დედოფალმა" („სილვა"), ჰ-ს თვალსაჩინო ოსტატისა და ე. წ. ვენის ოპერეტის კლასიკოსის სახელი დაუმკვიდრა. მის საუკეთესო ოპერეტებში („ბაიადერა",

„მარიცა“, „ცირკის პრინცესა“, „მონმარტრის იარ“) იგრძნობა ვენის შტამპისაგან დაშორება, თუმცა მძაფრი სიუჟეტური სიტუაციებისა და ვირტუოზული მუს. დრამატურგიის, ეფექტური ორკესტრირებისა და ლირიზმთან შერწყმული ბუფონადის გვერდით გვხვდება სიუჟეტის სალონური ზედაპირულობა და ბანალურობა. კ-ის ოპერეტებისათვის დამახასიათებელ სიახლეს წარმოადგენდა მათში უნგრ. მუს. ფოლკლორის ელემენტების შეტანა. გერმ. ფაშიზმის მიერ ავსტრიის დაპყრობის (1938) შემდეგ კ-ის ოპერეტები აიკრძალა. იგი საცხოვრებლად შვეიცარიაში გადავიდა, 1940-იდან კი აშშ-ში ცხოვრობდა.

ლიტ.: Мусатов Вс, Имре Кальман. Л., 1978.

კალმარები (Teuthoidea), თავფეხიანი მოლუსკების ქვერიგი ათფეხიანთა რიგისა. მათი უმრავლესობის სხეულის სიგრძე 0,25—0,5 *მ* აღწევს. არიან გიგანტებიც. კ-ს წაგრძელებული, ტორპედოსებრი სხეული აქვთ. სწრაფად მოძრაობენ. წყლიდან 7 *მ* სიმაღლემდე შეუძლიათ ამოხტომა. აქვთ კარგად განვითარებული ფარფლები, 10 საცეცი (ანუ „ხელები“), დიდი თვალები. ბინადრობენ წყლის სიზრქეში. განსაკუთრებით ბევრია ტროპ. ზღვებში. სსრკ-ში კ-ის 30-მდე სახეობა გვხვდება. ბინადრობენ ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, ბერინგის სრუტეში, ოხოტისა და იაპ. ზღვებში. იკვებებიან თევზით და უხერხემლო ცხოველებით. კვერცხებს დებენ მოცურავე საგნებზე. კ-ს საკვებად იყენებენ როგორც ნედლად, ისე დაკონსერვებულს. სსრკ-ში კ-ის სარეწებია შორეულ აღმოსავლეთში.

კალმარის ზღია, დანიის, ნორვეგიის (ისლანდიითურთ) და შვეიცის (ფინეთითურთ) სამეფოების გაერთიანება პირადი უნიით დანიის მეფის უზენაესი ძალაუფლების ქვეშ 1397—1523. კ. შ-ის დადება განპირობა დან. და შვეიცის მსხვილ ფეოდალთა და სავაჭრო ქ-ების ინტერესებმა, აგრეთვე გერმ. ეკონ. და პოლიტ. ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ. კ. შ-ის ინიციატორი იყო დან. დედოფალი *მარგრეტე დანიელი*. ხელი მოაწერეს კალმარში (შვეცია). 1448 შვეცია არსებითად გაეთიშა კ. შ-ს. დანია შეეცადა შვეციის დამორჩილებას (იხ. *სტოკჰოლმის სისხლიანი აბანო*, 1520), რასაც მოჰყვა აჯანყება დანიის წინააღმდეგ და კ. შ-ის საბოლოო დაშლა. 1537 ნორვეგიას ჩამოერთვა სამეფოს სტატუსი და დან. პროვინციად გამოცხადდა (1814-მდე დანიის შემადგენლობაში იყო).

კალმახები, თევზები *ორაგულისებრთა* ოჯახისა. გამსვლელ ორაგულთა გვარების (Salmo და Oncorhynchus) მტკნარი წყლის ფორმებია. ბინადრობენ მთის ტბებსა და მდინარეებში. უყვართ ცივი, ჟანგბადით მდიდარი, სუფთა წყალი. ტბებში უფრო დიდი კ-ია (ზოგჯერ 34 *კგ* აღწევს), მდინარეებში პატარებია (0,8 *კგ*, იშვიათად 2 *კგ*-მდე). სხეულზე ემჩნევათ წითელი, შავი, ნარინჯისფერი და სხვ. ფერის ხალები. ცნობილია ევროპული კ. და ჩრდილოამერიკული ანუ ცისარტყელოვანი კ. ცისარტყელოვან კ-ს სხეულის გვერდებზე გასდევს ცისარტყელასებრი ზოლები. მისი კვერცხი მსხვილია (დიამეტრი 5 *მმ*-მდე აღწევს), ნარინჯისფერი. სწრაფად იზრდება, კარგად უძლებს დაავადებებს და სითბოს. კ. საქართველოში გავრცელებულია ფარავნის, საღამოს, ტაბაწყურის, რიწის ტბებსა და მრავალ მდინარეში. იკვებებიან კიბოსნაირებით, მწერებით, თევზებით და სხვ. სარეწაო მნიშვნელობა აქვს დიდი ტბების, მდინარეების კ-ს. აკლიმატიზაციისა და ტბორული მეთევზეობის ძვირფასი ობიექტია. საქართველოში ცისარტყელოვანი კ-ის მეურნეობაა აფხაზეთსა და რუისში (ქარელის რაიონი).

კალმახი, ისტორიული ციხესიმაგრე საქართველოში, *ტაოში*. აგებულია VIII ს-ში. XI ს-მდე ტაოს ცენტრს წარმოადგენდა. XI ს-ში კ-ის გამგებლებს კალმახის ერისთავები ეწოდებოდათ. IX ს-ში გურგენ კურაპალატის რეზიდენცია იყო. კ-ის ციხეში ჩააბარეს მეფე ბაგრატ IV-ს (XI ს.) დატყვევებული კლდეკარის მეამბოხე ერისთავი ლიპარიტ და მისი ძე ივანე.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

დ. ბუსხელიშვილი.

კალმეტი (Calmette) ალბერ (12. VII. 1863, ნიცა, — 29. X. 1933, პარიზი), ფრანგი მიკრობიოლოგი და ჰიგიენისტი, საფრანგეთის სამედ. აკად. (1919) და პარიზის მეცნ. აკად. (1927) წევრი. 1885 დაამთავრა პარიზის სამედ. ფაკ-ტი; იყო ლ. *პასტერის* მოწაფე. 1895—1919 პასტერის ინ-ტის დირექტორი და ერთდროულად (1898—1917) სამედ. ფაკ-ტის ჰიგიენისა და ბაქტერიოლოგიის პროფესორი ლილში, 1917-იდან— პარიზში პასტერის ინ-ტის ვიცე-დირექტორი. კ-ის ჰირველი შრომები ეძღვნება ტუბერკულოზის, ყვავილის, შავი ჭირის, ჩამდინარე წყლების ბიოლ. წმენდის, მიკრობიოლ. და სეროლოგიური ტექ. და სხვ. საკითხებს. კ-მა შემოიღო ტუბერკულოზის სადიაგნოსტიკო რეაქცია. კ. გერენთან ერთად შექმნა და 1921 პირველად ახალშობილზე გამოიყენა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა — *BCG*. შეისწავლა შავი ჭირის ეპიდემიოლოგია და ა. იერსენთან ერთად პირველად გამოიყენა სეროთერაპია.

თხზ.: Предохранительная вакцинация против туберкулеза при помощи BCG, пер. с франц., М.—Л., 1929.

კალნინში ედუარდს [დ. 12 (25). X. 1904, რიგა], ლატვიელი საბჭ. ფერმწერი. სსრკ სახ. მხატვარი (1975). სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1970). 1932 დაამთავრა ლატვ. სამხატვრო აკადემია რიგაში. 1945-იდან ასწავლის იქვე (1955-იდან პროფესორი). კ-ის შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა ლატვ. ჟანრული ფერწერის განვითარებაში. მისი სურათები და პეიზაჟები მიძღვნილია უმთავრესად მეთევზეთა მძიმე შრომისადმი. ნამუშევრები: „მეტივეები“ (1935), „ახალი აფრები“ (1945), „ბალტიის მეშვიდე რეგატა“ (1952), „ლატვიელი მეთევზეები ატლანტიკაში“ (1957), — ყველა ლატვ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, რიგა.

კალო (Callot) ჟაკ (1592 ან 1593, ნანსი,— 24. III. 1635, იქვე), ფრანგი გრაფიკოსი და გრავიორი, რეალისტური მიმართულების ერთი დამფუძნებელთაგანი XVII ს. ფრანგ. ხელოვნებაში. 1608-იდან სწავლობდა რომში, 1611-იდან მუშაობდა ფლორენციაში. 1622 დაბრუნდა საფრანგეთში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კ-ს ორი გრაფ. სერია—„ომის საშინელებანი“ (1632—33), რ-ებიც ომის წინააღმდეგ მწვავე პროტესტის გრძნობითაა გამსჭვალული. თავის ოფორტებში—დიდ პანორამულ კომპოზიციებში („ბრედის ალყა“, 1627) და მცირე ზომის გრავიურებში („კაპრიჩი“, 1617, 1623) ოსტატურად გადმოსცემდა რეალური სინამდვილის მრავალფეროვნებასა და ადამიანთა ტიპებს (სერია „ლატაკები“, 1622). კ. მიმართავდა აგრეთვე რელიგ. სიუჟეტებს („წმ. სებასტიანის წამება“, 1632—33), მითოლოგიას (უმთავრესად ადრინდ. პერიოდში) და თეატრ. თემებს.

კალო, პურეულის სალეწი ადგილი (ღია ან დახურული). ღია კ. გავრცელებული იყო საქართვ. ყველა კუთხეში, დახურული კი — აღმ. საქართვ. მთის ზოლში. კ-ს უმთავრესად მართავდნენ სწორ, გაშლილ ადგილზე. საამისოდ ძველად ზოგან მიწური სახლის ბანსაც იყენებდნენ. კ-ზე პურს ლეწავდნენ კვერით, ქვის დაკბილული მორგვებით (ჭარჭარა) ან შინაური საქონელს გადაატარებდნენ. კვერსა და ჭარჭარაში უმთავრესად ხარებსა და კამეჩებს უბამდნენ. ლეწვის დასაჩქარებლად ძნას ნიჩბით ხშირად აბრუნებდნენ, რასაც კ-ს ქცევა ერქვა. ნიჩბით ქცევის დროს იცოდნენ „კალოს გულის გამოღება“ — ნალეწის გახვეტა კ-ს ნაპირებისაკენ, რათა კვერის კოხებს მიწის ზედაპირი არ აეჩიჩქნა. ნალეწი კ-ს ცენტრი არნადით იხვეტებოდა. ხვავს ჯერ ფიწლით, შემდეგ ნიჩბით ანიავებდნენ, რასაც ნიჩაბში გამოყვანას ეძახდნენ. ხორბლის ხვავს ჯერ ცხავში ატარებდნენ, შემდეგ — ცხრილში. გაცხრილული ხორბალი სცხლში გადაჰქონდათ, ზოგჯერ კალოზევე მოწყობილ პურის შესანახ ორმოებსა და ხაროებში ინახავდნენ.

კ. წმინდა ადგილად მიაჩნდათ. კ-ზე დატოვებულ ხვავში ავი ძალისაგან დასაცავად რკინას ჩატოვებდნენ ან ხვავის თავზე ტყემლის ტოტს ჩაასობდნენ. ძველად კ-ს განათვლა ცხვრის დაკვლითაც სცოდნიათ. კალოზევე გაჰქონდათ ახ. მოსავლის პირველი ნამცხვარი.

კ. და კალოობა (პურეულის ლეწვის პერიოდი) ხანგრძლივი და შრომატევადი სამეურნეო ციკლს იყო, რ-იც ივხისიდან იწყებოდა (კახეთი) და საქართვ. სხვადასხვა კუთხეში სექტ-მდე გრძელდებოდა. მთის ზოლში დახურულ კ-ზე ხორბლეულს ზამთარშიც ლეწავდნენ.

ლიტ.: ჯალაბაძე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960. *გ. ჯალაბაძე.*

კალმარები. კალმარი ომა-სტრეფესი თავს ესხმის თევზს.

კალოზა, წყალში უხსნადი პოლისაქარიდი. შედგება გლუკოზის მოლეკულის ნაშთებისაგან, რ-ებიც ქმნიან სპირალურ ჯაჭვს. გვხვდება მცენარეთა საცრიანი ფირფიტების არხებში, აგრეთვე ზოგიერთი წყალმცენარისა და სოკოს უჯრედების კედლებში. მცენარის დაზიანებისას კ. გროვდება პარენქიმის უჯრედების კედლებზე და წარმოქმნის *კალუსს*.

კალმახი (Salmo fario).

კალოთა, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (ხიხაძირის სოფსაბჭო), მდ. ხიხანისწყლის (სხალთის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1320 *მ*, ხულოდან 48 *კმ*. ხიხაძირის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კალოთანი, კალოთანის ღელე. ულელტეხილი აღმ. კავკასიონზე, ხევსურეთის არაგვის სათავეში, სიმაღლე 2978 *მ*. აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კ-ის მიდამოები შემოსილია ალპ. მდელოებით. საცალფეხო გზა გადადის ხევსურეთის არაგვის ხეობიდან მდ. არხოტისწყლის ხეობაში.

გ. დევდარიანი.

კალოიანი, ივან კალოიანი (გ. 1207), ბულგარეთის მე-2 სამეფოს მეფე 1197-იდან. წარმატებით ებრძოდა ბიზანტიას, გაათავისუფლა ჩრდ. ბულგარეთი, პომორავიე და მაკედონიის უმეტესი ნაწილი. კ-მა ცნო რომის კურიის უზენაესი საეკლ. ხელისუფლება, რისთვისაც პაპმა ინოკენტი III-მ აკურთხა (1204) „ბულგარების და ვლახების“ მეფედ. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა *ბოგომილობაზე* და ქალაქებზე დაყრდნობით სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას. 1205 წ. 14 აპრ. მონაწილეობდა ადრიანოპოლის ბრძოლაში ჯვაროსანთა წინააღმდეგ. მოკლეს შეთქმულმა ბოიარებმა სოლუნის გარემოცვის დროს.

ჟ. კალო. „კასანდრე“. სერიიდან „ომი მანტალონე“. ოფორტი. 1620-იანი წლები.

კალომელი (ბერძნ. kalos — ლამაზი და mēlas — შავი) ვერცხლისწყლის ქლორიდი, Hg_2Cl_2, უფერული ფხვნილი; სიმკვრივე 7160 *კგ/მ*³, ორთქლდება გაუფნობლად, აქროლების ტემპერატურა 383,7°C, მწვავე ტუტეებთან ან ამიაკთან ურთიერთქმედებით კ. შავდება, სახელწოდებაც აქედანაა. წყალში სუსტად იხსნება. იყენებენ კალომელის ელექტროდების დასამზადებლად, ორგ. რეაქციებში — კატალიზატო-



კალორიმეტრი. ნახ. 2. პროცესების თბური სიმძლავრის საზომი ე. კალვეს კალორიმეტრი (სქემა): 1—თერმოწყვილიანი კალორიმეტრული უჯრედი; 2—კალორიმეტრის ბლოკი; 3—ბლოკში ტემპერატურათა ერთგვაროვანი ველის შესაქმელი ლითონის კონუსები; 4—გარსი; 5—საზურებელი ხელსაწყოს თერმოსტატირებისათვის; 6—სითბური ეკრანები; 7—სითბური იზოლაცია; 8—კალორიმეტრში ნივთიერების მისაწოდებელი მილი; 9—გალვანომეტრის ჩვენების ასათვლელი სარკმელი; 10—გალვანომეტრი.



კალორიმეტრი. ნახ. 3. დაბალი ტემპერატურის პირობებში თბოტევადობის დასადგენი ადიაბატური კალორიმეტრი (სქემა): 1—კალორიმეტრი (ა—ჭურჭელი ნივთიერებისათვის; ბ—წინალობის თერმომეტრი; გ—სახურებელი); 2—ადიაბატური გარსები (შირმები); 3—ვაკუუმის პერანგი; 4—ასატუმბავი მილი; 5—ელექტრული სადენების მილი.

კალორიმეტრი. ნახ. 1. იზოთერმულგარსიანი სითხის კალორიმეტრ-ინტეგრატორი (სქემა): 1—„კალორიმეტრიული ბომბი"; 2—რეაქციის ასაგზნები სახურებელი; 3—საკუთრივ კალორიმეტრი (წყლით ავსებული ჭურჭელი); 4—წინალობის თერმომეტრი; 5—მაცივარი (მილი, რომლითაც შეიძლება ცივი პაერის გაშვება); 6—კალორიმეტრის წყლით ავსებული იზოთერმული გარსი; 7—გარსის სახურებელი; 8—გარსის ტემპერატურის სარეგულირებელი კონტაქტური თერმომეტრი; 9—საკონტროლო თერმომეტრი; 10—ამბრავიანი სარეველები.

რად, მედიცინაში — მიკრობსაწინააღმდეგო და ნაღველმდენ საშუალებად და სხვ.

კალომირისი (Kalomoirēs) მანოლის [14 (26). XII. 1883, სმირნა, — 3. IV. 1962, ათენი], ბერძენი კომპოზიტორი, ათენის მეცნ. აკად წევრი (1945). სწავლობდა ათენსა და კონსტანტინოპოლში, 1901—06—ვენის კონსერვატორიაში. 1906—10 ასწავლიდა ხარკოვის მუს. სასწავლებელში. 1911-იდან ათენის კონსერვატორიის „ელინიკონ ოდეონის" პედაგოგი (1919—26—დირექტორი). 1926 ათენში დააარსა ეროვნ. კონსერვატორია, რ-ის უცვლელი დირექტორი იყო სიკვდილამდე. 1955—57 საბერძნ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. კ. თანამედროვე ბერძნ. მუს. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისმა ოპერამ „უფროსი ოსტატი" (1915) საფუძველი ჩაუყარა ბერძნ. საოპერო ხელოვნებას. დაწერილი აქვს ოპერები, სიმფ. და კამერულ-საფორტეპიანო ნაწარმოებები, სიმღერები, მუს. თეორიის სახელმძღვანელო, კრიტ. წერილები.

კალორია (ლათ. calor — სითბო), სითბოს რაოდენობის სისტემისგარეშე ერთეული. ქართ. აღნიშნავა *კალ*, საერთაშ.— cal. კ-თან (მცირე კ.) ერთად გავრცელებულია კილოკალორია (დიდი კ.), 1 *კკალ*= =1000 *კალ*. პირველად კ-ს განსაზღვრავდნენ როგორც სითბოს რაოდენობას, რ-იც საჭიროა 1 გ წყლის გასათბობად 1°C-ით. წყლისა და ორთქლის თვისებების I-მა მსოფლიო კონფერენციამ (ლონდონი, 1929) შემოიღო საერთაშ. *კკალ*, რ-იც განსაზღვრა როგორც საერთაშ. *კვტ·სთ* 1/861,1. წყლის ორთქლის თვისებების საერთაშ. კონფერენციებზე (1954 და 1956) მიიღეს გადაწყვეტილება კ-იდან ახალ ერთეულზე — აბსოლ. *ჯოულზე* (რ-იც შემდეგ შევიდა *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში*) გადასვლის შესახებ. კ-სა და ჯოულს შორის შემდეგი თანაფარდობაა: 1 *კალ*=4,1868 *ჯ* (ზუსტად); 20-გრადუსიანი კ. 4,181 *ჯ* ტოლია, თერმოქიმიაში ფართოდ იყენებდნენ კ-ს, რ-იც 4,1840 *ჯ* ტოლია.

კალორიმეტრი (ლათ. calor — სითბო და ... *მეტრი*), რომელიმე ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ პროცესში გამოყოფილი ან შთანთქმული სითბოს რაოდენობის საზომი ხელსაწყო. ტერმინი „კ." შემოიღეს ა. *ლავუაზიემ* და პ. *ლაპლასმა* (1780).

თანამედროვე კ-ების მუშაობის ტემპრული დიაპაზონია 0,1—3500 K. კ-ის საშუალებით შესაძლებელია სითბოს რაოდენობა გაიზომოს 10^{-2}%-მდე სიზუსტით. კ-ს, რ-იც ზომავს მთელი პროცესის განმავლობაში გამოყოფილი სითბოს ჯამურ რაოდენობას, კ.-ინტეგრატორს უწოდებენ, ხოლო თუ მას თბური სიმძლავრისა და პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მისი ცვლილების გასაზომად იყენებენ,— სიმძლავრის საზომს ან კ.-ოსცილოგრაფს. კალორიმეტრიული სისტემის კონსტრუქციისა და გაზომვის მეთოდის მიხედვით განასხვავებენ სითხისა და მასიურ, ცალმაგ და ორმაგ (დიფერენციალურ) კ-ებს.

იზოთერმულგარსიან ცვლადი ტემპ-რის სითხიან კ.-ინტეგრატორს (ნახ. 1) იყენებენ ნივთიერების გახსნისას გამოყოფილი სითბოსა და ქიმ. რეაქციების სითბოს გასაზომად. კ-ის ნაწილების (კამერა, სითხე, თერმომეტრი და სხვ.) ერთობლიობას ხელსაწყოს *კალორიმეტრიულ სისტემას* უწოდებენ. კალორიმეტრიული სისტემის გახურების დონე ფიქსირდება თერმომეტრით. გაზომვის დაწყებამდე კ-ს აგრადუირებენ, რის შედეგად იღებენ კ-ის სითბურ მნიშვნელობას (კოეფიციენტს), რ-ზეც მრავლდება თერმომეტრით გაზომილი კ-ის ტემპ-რის ცვლილება მასში შეტანილი სითბოს რაოდენობის დასადგენად. ასეთი კ-ის სითბური მნიშვნელობა წარმოადგენს კალორიმეტრიული სისტემის სითბოტევადობას. სხვა ტიპის, კერძოდ, იზოთერმულ კ.-ინტეგრატორში მიწოდებული სითბო არ ცვლის კალორიმეტრიული სისტემის ტემპ-რას. იგი იწვევს ამ სისტემის მხოლოდ შემადგენელი ნაწილის — სხეულის — აგრეგატული მდგომარეობის შეცვლას და ზომავს მის მასას (მაგ., გამდნარი ყინული).

მასიურ კ.-ინტეგრატორს ყველაზე ხშირად იყენებენ მაღალი ტემპ-რის (2500°C-მდე) პირობებში ნივთიერებათა *ენთალპიის* დასადგენად.

აირის, ზოგჯერ კი სითხის თბოტევადობას ადგენენ ე. წ. გამდინარე ლაბირინთული კ-ით.

კ-ს, რ-იც სიმძლავრის საზომის ფუნქციას ასრულებს, უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი თბოგადაცემის უნარი. ასეთი კ. (ნახ. 2) დაამუშავა ფრანგმა ფიზიკოსმა ე. კალვემ (E. Calvet, 1895—1966). ოთახის ტემპ-რის პირობებში ამ სახეობის კ-ით პროცესის თბურ სიმძლავრეს 1 *მკვტ*-მდე სიზუსტით ზომავენ.

კ-ების ზოგადი კლასიფიცირება შესაძლოა გაზომვის მეთოდიკის განმსაზღვრელი სამი მთავარი ცვლადის (კალორიმეტრიული სისტემის ტემპ-რა $T_ს$, გარსის ტემპ-რა $T_გ$ და თბური სიმძლავრე $L_ს$—კ-ში დროის ერთეულში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა) განხილვის საფუძველზე. თუ $T_ს$=const და $T_გ$=const, კ-ს იზოთერმულს უწოდებენ, ხოლო თუ $T_ს$=$T_გ$,— ადიაბატურს. როცა $T_ს$—$T_გ$=const, მუდმივთბოგადაცემიანს უწოდებენ. როდესაც $T_გ$=const და $T_ს$ = $f(L)$, კ. კ. იზოპერიბოლურია ან იზოთერმულგარსიანი.

ადიაბატურ კ-ში გარსის ტემპ-რას ისე არეგულირებენ, რომ იგი მუდამ ახლოს იყოს კალორიმეტრიული სისტემის ცვლად ტემპ-რასთან. იზოთერმულგარსიანი კ-თვის ქიმ. რეაქციის სითბოს განსაზღვრავენ 0,01%-მდე ცდომილებით. მნიშვნელოვანი ცდომილების (15—20%) შემთხვევაში იყენებენ ადიაბატურ გარსს. ადიაბატური კ-ის მეშვეობით განსაზღვრავენ მყარი და თხევადი ნივთიერებების სითბოტევადობას 0,1-იდან 1000 K-მდე. ოთახისა და უფრო დაბალი ტემპ-რის დროს ვაკუუმის პერანგით დაცულ ადიაბატურ კ-ს ათავსებენ *დიუარის ჭურჭელში* (ნახ. 3), რ-იც შევსებულია თხევადი ჰელიუმით, წყალბადით ან აზოტით. უფრო მაღალი ტემპ-რის დროს (373 K-ზე მეტი) კ-ს ათავსებენ ელექტრულ ღუმელში, რ-საც შეუძლია თერმოსტატის რეჟიმით მუშაობა.

ლიტ.: Скуратов С. М., Колесов В. П., Воробьев А. Ф., Термохимия, ч. 1—2, М., 1964—66.



კალორიმეტრია (ლათ. calor — სითბო და ...*მეტრია*), აირის, სითხისა და მყარი სხეულის კუთრი თბოტევადობის, აგრეთვე სხვადასხვა ფიზ.-ქიმ. პროცესების სითბური ეფექტის გაზომვის მეთოდების ერთობლიობა. კალორიმეტრიული გაზომვებისათვის იყენებენ *კალორიმეტრებს*, რ-თა კონსტრუქციას განსაზღვრავს გაზომვის პირობები (პირველ რიგში ტემპ-რული ინტერვალი 0,1—4000 K) და საჭირო სიზუსტე. კ. მაღალტემპერატურულია, თუ პროცესი მიმდინარეობს 400 K-ისა და მეტი ტემპ-რის დროს, ხოლო თუ გაზომვა თხევადი აზოტის, წყალბადისა და ჰელიუმის ტემპ-რის ფარგლებში მიმდინარეობს, კ. დაბალტემპერატურულია.

კალორიმეტრიული გაზომვების შედეგებს ფართოდ იყენებენ თბოტექნიკაში, მეტალურგიაში, ქიმ. ტექნოლოგიაში.

კ-ს ბიოლოგიაში იყენებენ იმ სითბური ეფექტების დასადგენად, რ-ებიც თან ახლავს ცხოველმოქმედების პროცესებს. ორგანიზმში გამუდმებით მიმდინარეობს ენდოთერმული (სითბოს შთანთქმით) და ეგზოთერმული (სითბოს გამოყოფით) პროცესები. მაგ., დადგენილია, რომ *ნაწლავის ჩხირი* საათში გამოყოფს ~ $4 \cdot 10^{-9}$ *ჯ* (~ 10^{-9} *კალ*) სითბოს, ადამიანი კი — $2 \cdot 10^5$ *ჯ* ($5 \cdot 10^4$ *კალ*). როცა პირდაპირი კ. შეუძლებელია, სითბურ ეფექტს ადგენენ არაპირდაპირი მეთოდებით (არაპირდაპირი კ-ით), მაგ., *აირცვლის* ინტენსივობის მიხედვით. ამასთან, *სუნთქვის კოეფიციენტის* მიხედვით ადგენენ ორგ. ნაერთების დაჟანგვაზე დახარჯული O_2-ის რაოდენობას.

კალორიფერი (ლათ. calor — სითბო და fero — მომაქვს), ჰაერსახურებელი ხელსაწყო ჰაერით გათბობისა და ვენტილაციის სისტემებში, აგრეთვე საშრობში. კ. არის ფირფიტოვანი, გლუვმილიანი, სპირალურწიბოვანი, ფურცლოვანი და სხვ. ფართოდაა გავრცელებული რადიატორი—ფირფიტოვანი კ., რ-შიც თბოგადამტანი (წყლის ორთქლი ან ცხელი წყალი) მიედინება მილაკებში, ხოლო ამ მილაკებს გარედან ეკვრის ფირფიტები, რ-ებიც ახურებენ მათ შორის მოძრავ ჰაერის ნაკადს. იყენებენ აგრეთვე ელექტრულ და ციცხლჰაერულ კ-ებს.

კალოსმთა, ჰარმანთაფა, მთა ერუშეთის ქედზე, მდ-ების ჯაყისწყლისა (ფოცხოვის მარჯვ. შენაკადი) და რაყისწყლის (ურაველის ზემო დინება) წყალგამყოფზე, ახალციხის რ-ნისა და თურქეთის საზღვარზე. სიმაღლე 2950 *მ*. აგებულია ნეოგენური ანდეზიტ-დაციტური ლავით, გუმბათისებრი ფორმისაა, შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

კალოს მსხალი, ქართული მსხლის საზაფხულო ჯიშების საერთო სახელწოდება. გავრცელებულია სამრეწვ. მეხილეობის რ-ნებში, უმეტესად საკარმიდამო ნაკვეთებზე — სამარიობოს, საელიობოს, ივლისის მსხლისა და სხვ. სახელწოდებით. ხე სწრაფად იზრდება, განიერ-პირამიდულია. მსხმოიარობას გვიან იწყებს. უხვმოსავლიანია. ნაყოფი საშ. ზომისაა, მომრგვალო, უმეტესად ასიმეტრიული. მოყვითალო კანის ქვეშ უხვი მწვანე წერტილები აქვს. რბილობი მკვრივია, მუქი ყავისფერი, საკმაოდ წვნიანი. კარგი გემო და არომატი აქვს. ნაყოფი დიდხანს არ ინახება.

შ. დიასამიძე.

კალოუბანი, კალობანი, თბილისის ისტორიული *გარეუბნის* ერთ-ერთი მიკროუბანი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. სახელწოდება კ. სემანტიკურად უკავშირდება ძვ. ქალაქის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს უბან *კალას* (კალა—კალო); წარმოიქმნა თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების ადრინდ ხანაში. კ-ში (ახლანდ. კინოთეატრ რუსთაველის ად-

გილზე) იდგა ადრინდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის საყდარი.

ლიტ.: Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866. *თ. ბერიძე.*

კალოუბნობა, ქართული ხალხური რელიგიური დღეობა. იმართებოდა კალოუბნად წოდებულ საკულტო ცენტრში აღდგომის მე-5 კვირას, დღესაც იმართება ზემო ხანდაკში (ქართლი) და მცხეთის ზემოთ, წმ. გიორგის სახ. კალოუბნის ეკლესიაში. მლოცველებს მიჰქონდათ შესაწირავი და ასრულებდნენ სათანადო რიტუალს, იმართებოდა პურობა.

ლიტ.: ლუტიძე ბ., ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მაუნხასიათი, თბ., 1958; სოხაძე ა., ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964. *ა. სოხაძე.*

კალოური, ქართული ფოლკლორული ლექს-სიმღერა, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის პოეზიის ერთ-ერთი სახეობა. ასრულებს მამაკაცთა ჯგუფი კალოზე მუშაობის დროს. სიმღერა ერთხმიანია. ტექსტი უმთავრესად 8-მარცვლიანი შაირით არის გამართული. კ-ის ტექსტებში გადმოცემულია ლეწვისა თუ ხორბლის განიავების პროცესი, სოც. უთანასწორობის განცდა, კარგი ამინდის ნატვრა და სხვ. ლექს-სიმღერებს ზოგჯერ წამახალისებელი, სალაღობო ხასიათი აქვს. ისევე როგორც სხვა სამაწათმოქმედო სიმღერებში, კ-შიც ხშირად იხსენიება *ოროველა.*

ლიტ.: მამალაძე თ., შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1962; ოქროშიძე თ., ქართული ხალხური შრომის პოეზია, თბ., 1963.

კალპურნიუსი ტიტუს (Calpurnius Titus) (ახ. წ. I ს.), რომაელი პოეტი, ე. წ. „ვერცხლის საუკუნის" რომაული ლიტერატურის წარმომადგენელი. მისი ბიოგრ. ცნობები არ არის შემონახული. ხელნაწერებში მოხსენიებულია მეტსახელით „სიცილიელი" („Siculus"); ჩვენამდე მოღწეული 7 ეკლოგის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ნერონის კარის პოეტი იყო. ეს ეკლოგები ანტ. ბუკოლიკური პოეზიის ტიპური ნიმუშებია, რ-ებსაც ხშირად დიდაქტ. ელემენტებიც ახლავს.

კალტანი, ქალაქი (1959-იდან) რსფსრ კემეროვოს ოლქში, მდ. კონდომის ნაპირზე. რკინიგზის სადგური ნოვოკუზნეცკ—ტაშტაგოლის ხაზზე. ნახშირის მოპოვება (სრესისათვის), საქვაბე-დამხმარე მოწყობილობისა და მილსადენების ქ-ნა. საღამოს ენერგეტ. ტექნიკუმი. კ. დაარსდა 1946 სამხრ. კუზბასის სრესის მშენებლობასთან დაკავშირებით.

კალუგა, ქალაქი, რსფსრ კალუგის ოლქის ცენტრი. ნავმისადგომი მდ. ოკის მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური მოსკოვ.—კიევის ხაზზე, მოსკოვიდან 188 *კმ.* 265 ათ. მცხ. (1979). პირველად იხსენიება 1371 ლიტვის მთავრის ალგირდასის სიგელში. აღმოცენდა როგორც მოსკ. სახელმწიფოს სამხრ.-დას. სასაზღვრო ციხესიმაგრე. XV ს-იდან მოსკ. სამთავროს შემადგენლობაშია. 1607 იყო ი. ბოლოტნიკოვის წინამძღოლობით მოწყობილი გლეხთა აჯანყების ცენტრი. 1796-იდან კალუგის გუბ. ცენტრი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 28 ნოემბ. (11 დეკ.). 1941 ოქტ-იდან ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ, გათავისუფლდა იმავე წლის 30 დეკ. ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971).

კ. დიდი სამრეწვ. ცენტრია, იძლევა ოლქის სამრეწვ. პროდუქციის დაახლ. 2/5-ს. განვითარებულია მანქანათმშ., ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმ., ხის დასამუშ., კვების და მსუბუქი მრეწვ., სამენ მასალათა წარმოება.

არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია XVII—XVIII სს. ქვის სახლები და ეკლესიები, ქვის ხიდი (1777—78, არქიტ. პ. ნიკიტინი). 1778 და 1785 რეგულარული გეგმით შენდებოდა კლასიციზმის სტილის შენობები: სამების ეკლესია (1786—1819, არქიტ. ი. იასნიგინი), სათავადაზნაურო საკრებულო (1848—50, არქიტ. პ. გუსევი). 1949—55 გენ. გეგმით ქალაქი გაიზარდა ჩრდ. მიმართულებით. შეიქმნა თეატრალური მოედნის ანსამბლი (1958), აშენდა კ. ციოლკოვსკის სახ. კოსმონავტიკის ისტ. მუზეუმის შენობა (1967, არქიტ. ბ. ბარხინი და სხვ.), სასტუმრო „კალუგა" (1969), ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი (1971). ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის (მარმარილო, ბრინჯაო, 1925, მოქანდაკე ვ. კოზლოვი), კ. ციოლკოვსკის (ბრინჯაო, გრანიტი, ფოლადი, 1958, მოქანდაკე ა. ფაიდიში, არქიტ. მ. ბარშჩი, ა. კოლჩინი) ძეგლები.

კ-ში არის პედ. ინ-ტი, მოსკ. ნ. ბაუმანის სახ. უმაღლესი ტექ. სასწავლებლის ფილიალი, 12 საშ. სპეციასწავლებელი. დრამ. თეატრი (დაარსდა XVIII ს-ში), მხარეთმცოდნეობის, სამხატვრო, კ. ციოლკოვსკის სახ. კოსმონავტიკის ისტორიის (აქვეა კ. ციოლკოვსკის სახლ-მუზეუმის ფილიალი) მუზეუმები.

კალუგის ოლქი, შედის რსფსრ-ში. შეიქმნა 1944 წ. 5 ივლ. ფართ. 29,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 1007 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 62%. ცენტრი — ქ. კალუგა.

კ. ო. მდებარეობს შუა რუსეთის მაღლობზე და სმოლენსკის მაღლობის სამხრ. ფერდობებზე. დიდი მდ-ებია: ოკა (შენაკადები — ჟიზდრა, უგრა, პროტვა) და დესნის შენაკადი ბოლვა.

მრეწვ. მთავარი დარგებია: მანქანათმშ., ხელსაწყოთმშენებლობა და ლითონდამუშავება (თბომავლები, ტურბინები, ტრანსპორტისა და კავშირგაბმ. ელექტრომოწყობილობა, ავტომატიზაციის საშუალებანი და სანიტ.-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები), მსუბუქი (საფეიქრო მრეწვ.), კვების, ხე-ტყისა და ხის დასამუშ. მრეწველობა. სოფ. მეურნეობაში წამყვანია სარძევე და სახორცე მეცხოველეობა. მნიშვნელოვანია მეკარტოფილეობა, მებოსტნეობა და სელის წარმოება. არის მარცვლეულის ნათესები (ხორბალი, ჭვავი, შვრია). სანაოსნოა მდ. ოკა. ქ. კალუგაში არის აეროპორტი. კ. ო. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

კალუსი (ლათ. callus — სქელი კანი, კოჟრი), ქსოვილი, რ-იც ჩნდება მცენარის ჭრილობის ზედაპირზე (ბზარზე, ნაჭდევებზე, კალმების ძირში, მყნობის დროს სანერგესა და სან�ყენეს შეზრდის ადგილებში). წარმოიქმნება ყველა ცოცხალი ქსოვილის (*კამბიუმი, ფლოემა* და სხვ.) უჯრედების დაყოფით. ხელს უწყობს ჭრილობის შეზრდას. კალმებით გამრავლებისას კ-ში ხშირად ჩაისახება დამატებითი ფესვები და კვირტები.

კალუში, ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ ივანო-ფრანკოვსკის ოლქში. კალუშის რნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. 57 ათ. მცხ. (1977). ქიმ.-მეტალურ., კვების და სხვა კომბინატები, ქ-ნა „ნეფტებურმაშრემონტი", რკინაბეტონის ნაკეთობათა და კონსტრუქციების, კომუნალური მოწყობილობის, სარემონტო-მექან., სამონტაჟო-დასამზადებელი, ყველის, ლუდის ქ-ნები, სამკერვალო-საგალანტერეო ფ-კა. ქიმ.-ტექნოლ. ტექნიკუმი.

კალფი (Kalf) ვილემ (მოინათლა 3. XI. 1619, როტერდამი,—31. VII. 1693, ამსტერდამი), ჰოლანდიელი ფერმწერი. დაახლ. 1640—45 მუშაობდა საფრანგეთში, 1653-იდან — ამსტერდამში. ხატავდა განწყობილებით აღსავსე მცირე ზომის სურათებს, რ-ებზედაც გამოსახულია ღარიბთა სამზარეულოები და ეზოები („გლეხკაცის სახლკარი", ერმიტაჟი, ლენინგრადი), აგრეთვე ეფექტურ ნატიურმორტებს („საუზმე", ამსტერდამის სახელმწ. მუზეუმი და სხვ.). მხატვრის ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია კლასიკურად დახვეწილი კომპოზიციები; იგი ფაქიზად და პოეტურად გადმოსცემდა ჩრდილ-ნათელს ფერადოვანი გამის კონტრასტებს.

კალცეფილები (ლათ. calx, ნათ. ბრ. calcis — კირი და ბერძნ. phileō — მიყვარს), კალცეფიტები, მცენარეები, რ-ებიც უკეთ ხარობენ კალციუმით მდიდარ ნიადაგებზე, აგრეთვე კირქვიან, მერგელიან, ცარციან და სხვ. ადგილებში. ეს დაკავშირებულია ნიადაგის ტუტე რეაქციასა და მის ზოგ ფიზ. თვისებებთან (კარგი წყალგამტარობა, გახურება და სხვ.). კ-ია ტყის ფრინტა, ციმბ. ლარიქსი, ბიჭვინთის ფიჭვი, ყვითელი იონჯა.

კალცეფობები (ლათ. calx, ნათ. ბრ. calcis — კირი და ბერძნ. phobos — შიში), მცენარეები, რ-ებიც გაურბიან კირით მდიდარ ნიადაგებს (თუ სხვა სუბსტრატს) და კარგად ხარობენ მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე ნიადაგებზე. როცა კალციუმის მოქმედება გაწონასწორებულია წყალბადიონების შესაბამისი კონცენტრაციით (pH<5,7), მაშინ კ-ს კალციუმით მდიდარ ნიადაგებზეც შეუძლია არსებობა. კ-ია ტორფის ხავსები, წყლის ბამბა, ბუერა, დროზერა და სხვ. შდრ. *კალცეფილები.*

კალციტი (<ლათ. calx, ნათ. ბრ. calcis —კირი), კარბონატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $CaCO_3$. მინარევები Mg, Fe, Mn (8%-მდე) და სხვ. კრისტალდება ტრიგონულ სინგონიაში. კრისტალები რომბოედრული, სკალენოედრული, ფირფიტისებრი აქვს. გვხვდება მკვრივი, მარცვლოვანი, მიწისებრი მასების, აგრეთვე ნაღვენთი წარმონაქმნების (სტალაქტიტი, სტალაგმიტი) სახით. სრული ტკეჩადობა აქვს სამი მიმართულებით. ხშირად — მრჩობლები. უფერო ან თეთრი, ზოგჯერ მინარევებით შეფერილი. კ-ის კრისტალებს ახასიათებს ძლიერი ორმაგი სხივთტეხა. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3; სიმკვრივე 2720—2800 *კგ/მ*³. კ. წარმოიქმნება ჰიდროთერმულ, ზოგჯერ მაგმურ პირობებში. დიდი რაოდენობით ილექება ზღვის აუზში. კირიანი ცხელი წყაროებიდან გამოილექება ტრავერტინის სახით. კ. ძირითადი შემადგენელი ნაწილია *კირქვების, მარმარილოსი* და სხვ.

კალციუმი (Calcium), Ca. ელემენტთა პერიოდული სისტემის II ჯგ. ქიმ. ელემენტი. ატ. ნომერი 20, ატ. მასა 40,08, $t_{დნ}$ 851°C, $t_{დუღ}$ 1482°C, სიმკვრივე 1540 *კგ/მ*³, მოვერცხლისფრო-თეთრი მსუბუქი ლითონი. ბუნებრივი ელემენტი შედგება ექვსი სტაბილური იზოტოპისაგან: ^{40}Ca, ^{42}Ca, ^{43}Ca, ^{44}Ca, ^{46}Ca და ^{48}Ca, რ-თაგან უფრო გავრცელებულია ^{40}Ca(96,97%). კ-ის ნაერთებს — მარმარილოს, კირქვას და თაბაშირს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყე-



კალოს მსხალი.

ვ. კალფი. ნატურმორტი. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.



კალციტი. ფორმა. კრისტალების


კალუგის ოლქი
ბ ო ლ ხ ო ვ ი ნ ი
ს ა რ ო ფ ო რ ტ ინ ს კ ი
ერმოლინო
ბ ო ლ ო ტ ნ ი კ ი
ბ ა ლ ა ბ ა ნ ო ვ ო
ობნინსკი
ქალაბინო
ვესოკინინი
ალექსინი
ალიბინ ზავოდი
ბ ო ბ ო ვ ი
ბ ა ბ ა ნ ი
ბ ა ბ ა ტ ლ ე ე ვ ი
ბ ო ბ ო ვ ი
ბ ო ბ ო ვ ი
ბ ო ბ ო

ჩვეულებრივი კამა.



კამარის სახეობანი: 1—ცილინდრული; 2—ჯვაროვანი; 3—შეკრული; 4—სარკული; 5—აფრის ფორმისა (გუმბათი).

ნებდნენ სამშენებლო საქმეში. XVIII ს. ბოლომდე ქიმიკოსები კირს მარტივ სხეულად თვლიდნენ. 1789 ა. *ლავუაზიემ* იკარაუდა, რომ კირი, მაგნეზია, თიხა, ბარიტი რთული ნივთიერებებია. 1808 ჰ. *დეივიმ* ნოტიო ჩამქრალი კირისა და ვერცხლისწყლის ჟანგის ნარევის ელექტროლიზის შედეგად მიიღო კ-ის ამალგამა, მისგან კი, ვერცხლისწყლის გამოხდით—ლითონი, რ-საც „კალციუმი" (ლათ. calx, calcis—*კირი*) ეწოდა.

დედამიწის ქერქში გავრცელების მიხედვით კ-ს მე-5 ადგილი უჭირავს (O, Si, Al, Fe შემდეგ), შემცველობა მასის მიხედვით 2,96%-ია. კ. წარმოქმნის 385 მინერალს. კ-ის ძირითადი ნაწილი დედამიწის ქერქის ქვედა ფენებშია დაგროვილი. ბიოსფეროში მიმდინარეობს მისი მკვეთრი დიფერენციაცია, რ-იც დაკავშირებულია უმთავრესად „კარბონატულ წონასწორობასთან"; ნახშირორჟანგის კარბონატთან ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ხსნადი ბიკარბონატი $Ca(HCO_3)_2$:

$$CaCO_3+H_2O+CO_2 \rightleftarrows Ca(HCO_3)_2 \rightleftarrows Ca^{2+}+2HCO_3^-.$$

ეს რეაქცია შექცევადია და წარმოადგენს Ca-ის გადანაწილების საფუძველს. თუ წყალი მცირე რაოდენობით შეიცავს CO_2-ს, გამოიყოფა ნალექი მინერალ კალციტის $CaCO_3$ სახით, რ-იც წარმოქმნის კირქვის, მარმარილოსა და ცარცის უზარმაზარ ბუდობებს.

კ-ის მიგრაციაში დიდ როლს თამაშობს ბიოგეოქიმიური პროცესები და მიწისქვეშა წყლები. კირქვიანი მასივიდან წყლები გამორეცხავს $CaCO_3$, რასთანაც დაკავშირებულია *კარსტის* განვითარება, გამოქვაბულების, სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების წარმოქმნა.

ნაერთებში კ. ორვალენტოვანია. იგი ქიმიურად ძალიან აქტიურია. ჩვეულებრივ ტემპ-რაზე ადვილად ურთიერთქმედებს ჰაერის ტენსა და ჟანგბადთან, რის გამოც მას ინახავენ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ან მინერ. ზეთის ქვეშ. ჰაერზე ან ჟანგბადში გახურებისას აალდება და წარმოქმნის ფუძე ჟანგს — CaO-ს. ცნობილია აგრეთვე მისი ზეჟანგები CaO_2 და CaO_4. ცივ წყალთან კ. თავდაპირველად ენერგიულად ურთიერთქმედებს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი რეაქცია ნელდება $Ca(OH)_2$ აფსკის წარმოქმნის გამო. ენერგიულად ურთიერთქმედებს აგრეთვე ცხელ წყალსა და მჟავებთან და H_2-ს გამოყოფს (კონცენტრირებული HNO_3 გარდა), ფთორთან ურთიერთქმედებს სიცივეზე, ქლორსა და ბრომთან კი — 400°C-ზე ზევით და წარმოქმნის შესაბამისად CaF_2, $CaCl_2$ და $CaBr_2$, ხოლო გოგირდთან გახურებისას — კალციუმის სულფიდს CaS, რ-იც იერთებს გოგირდს და წარმოქმნის პოლისულფიდებს (CaS_2, CaS_4 და სხვ.). მშრალ წყალბადთან Ca ურთიერთქმედებით 300—400°C-ზე მიიღება ჰიდრიდი CaH_2—იონური ნაერთი, რ-შიც წყალბადი ანიონს წარმოადგენს. 500°C-ზე აზოტთან Ca-ის ურთიერთქმედებისას კი ნიტრიდი Ca_3N_2, დაბალ ტემპ-რაზე კ. ამიაკთან წარმოქმნის კომპლ. ამიაკატს $Ca[NH_3]_6$. Ca-ის გრაფიტთან, სილიციუმთან ან ფოსფორთან გახურებისას მიიღება შესაბამისად *კალციუმკარბიდი* CaC_2, სილიციდები Ca_2Si, $CaSi_2$ და ფოსფიდი Ca_3P_2. კ. წარმოქმნის ლითონთშორის ნაერთებს Al, Ag, Au, Cu, Li, Mg, Pb, Sn-თან და სხვ.

კ-ს მრეწველობაში ორი ხერხით იღებენ: 1. CaO და Al ფხვნილის (დაბრიკეტებული ნარევის ვაკუუმში 1200°C-ზე) გახურებით, $6CaO+2Al=3CaO \cdot Al_2O_3+3Ca$ რეაქციის შედეგად გამოყოფილი კ-ის ორთქლი კონდენსირდება ცივ ზედაპირზე; 2. $CaCl_2$ და KCl ნალხობის ელექტროლიზით.

სუფთა კ-ს იყენებენ U, Th, Cr, V, Zr და ზოგიერთ იშვიათ მიწათა ლითონის აღმდგენად მათი ნაერთებიდან, ნავთობპროდუქტებიდან გოგირდის მოსაშორებლად, ორგ. სითხეების გასაუწყლოებლად, არგონის გასაწმენდად აზოტის მინარევებისაგან და ელექტროვაკუუმურ დანადგარებში აირების შთამნთქმელად. შენადნობს Ca—Si—Ca (სილიკოკალციუმი) იყენებენ განმჟანგავად და დეგაზატორად მაღალხარისხოვანი ფოლადების წარმოებაში და სხვ.

კ. ორგანიზმში. Ca სასიცოცხლო პროცესების ნორმალური მსვლელობისათვის აუცილებელი ბიოგენური ელემენტია. ზოგ ორგანიზმში Ca-ის რაოდენობა 38%-ს აღწევს, ადამიანის ორგანიზმში — 1,4—2%-ს. მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების უჯრედებისათვის აუცილებელია Ca^{2+}, Na^+ და K^+-ის განსაზღვრული თანაფარდობა. მცენარეები Ca-ს ნიადაგიდან იღებენ, ცხოველები — საკვებსა და წყალთან ერთად. Ca^{2+} იონებს აგზნება გადააქვთ კუნთოვან ბოჭკოებზე და იწვევენ მათ შეკუმშვას, ადიდებენ გულის შეკუმშვათა სიძლიერეს, ზრდიან ლეკოციტების ფაგოციტურ ფუნქციას, ააქტივებენ სისხლის დამცველი ცილების სისტემას, მონაწილეობენ მის შედედებაში. ჩონჩხიან ცხოველებში Ca-ის 97—99% გამოიყენება საშენი მასალის სახით. ადამიანისა და უმაღლესი ცხოველების სისხლში Ca-ის შემცველობას აწესრიგებს პარაფარისებრი და ფარისებრი ჯირკვლების ჰორმონები. ძუძუმწოვრები ლაქტაციის პერიოდში დიდი რაოდენობით კარგავენ Ca-ს რძესთან ერთად. ფოსფორულ-კალციუმიანი ცვლის დარღვევისას ახალგაზრდა ცხოველებს და ბავშვებს უვითარდებათ რაქიტი, მოზრდილებს ეცვლებათ ჩონჩხის შედგენილობა და აგებულება.

მედიცინაში Ca-ის პრეპარატებს იყენებენ ორგანიზმში Ca^{2+}-ის იონების ნაკლებობისას (ტეტანიის, სპაზმოფილიის, რაქიტის შემთხვევაში), ალერგიული დაავადებების (შრატისმიერი დაავადება, ჭინჭრის ცება, ანგიონევროზული შეშუპება, თივის ცხელება და სხვ.), ჰემორაგიული ვასკულიტის, სხივური დაავადების, ანთებითი და ექსუდაციური პროცესების (პნევმონია, პლეურიტი, ენდომეტრიტი), კანის ზოგიერთი დაავადების დროს, გულის მოქმედების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სისხლდენის შესაჩერებელ და სუსტ შარდმდენ საშუალებად; სხვა მედიკამენტებთან ერთად Ca-ის პრეპარატები იხმარება სამშობიარო მოქმედების სტიმულაციისათვის და სხვ.

ლიტ.: Краткая химическая энциклопедия, т. 2, М., 1967; Родякин В. В., Кальций, его соединения и сплавы, М., 1967.

კალციუმის ჰიდროჟანგი, ჩამქრალი კირი, $Ca(OH)_2$, ძლიერი ფუძე, უფერული კრისტალები, სიმკვრივე 2240 *კგ/მ*³. ტექ. პროდუქტი თეთრი ბუსუსოვანი ფხვნილია. გაცხელებისას წყალს კარგავს და გარდაიქმნება CaO. კ. ჰ-ის წყალხსნარს კირიან წყალს უწოდებენ, ხოლო კ. ჰ-ის სუსპენზიას წყალში — კირიან რძეს. კ. ჰ. ადვილად იერთებს CO_2 ჰაერიდან: $Ca(OH)_2+CO_2=CaCO_3+H_2O$. კ. ჰ-ს ფართოდ იყენებენ მშენებლობაში და სხვ. (იხ. აგრეთვე *კირი*).

კალციუმკარბიდი, CaC_2, კალციუმის ნაერთი ნახშირბადთან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კარბიდი. სიმკვრივე 2200 *კგ/მ*³, $t_{დნ}$ 2300°C. ქიმიურად სუფთა კ. უფერულია, წყალთან ურთიერთქმედებს და წარმოქმნის *აცეტილენს*, გახურებისას ურთიერთქმედებს აზოტთანაც და წარმოქმნის *კალციუმციანამიდს*. კ. მიიღება ელექტროღუმლებში 1900—1950°C-ზე შემდეგი რეაქციით: $CaO+3C=CaC_2+CO$, ამ დროს სითბოს დიდი რაოდენობა შთაინთქმება (450,5 *კჯ/მოლ*). იყენებენ უმთავრესად აცეტილენისა და კალციუმციანამიდის მისაღებად, აგრეთვე ტუტე ლითონების აღსადგენად.

კალციუმკარბონატი, ნახშირმჟავა კალციუმი, $CaCO_3$, მარილი; ბუნებაში წარმომქმნის ორ მინერალს — ფართოდ გავრცელებულ *კალციტსა* და *არაგონიტს*, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კრისტ. სტრუქტურით. კ. გახურებისას 900°C-ზე ზევით იშლება: $CaCO_3=CaO+CO_2$. ბუნებრივ კ-ს (მარმარილო, კირქვა) იყენებენ საშენებლო მასალად; ცარცს (დაფქვილი კ.) — ქაღალდის, ლინოლეუმის და სხვ. შემავსებად. შედარებით წმინდა და რბილ პროდუქტს, ე. წ. ნალექ კ-ს, რ-იც $CaCl_2$ და Na_2CO_3 ურთიერთქმედებით მიიღება, ხმარობენ კბილის ფხვნილების, კოსმეტ. საშუალებებისა და სხვ. დასამზადებლად.

კალციუმნიტრატი, კალციუმის გვარჯილა, $Ca(NO_3)_2 \cdot 4H_2O$, მარილი; უფერული კრისტალები. კ. ძლიერ ჰიგროსკოპიულია, სიმკვრივე 2360 *კგ/მ*³. მიიღება კირქვაზე განზავებული აზოტმჟავას მოქმედებით. სოფ. მეურნეობაში იყენებენ *აზოტიან სასუქად* ყველა კულტურისათვის. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მჟავურ ნიადაგებში (იხ. *ნიადაგის მჟავიანობა*).

კალციუმსულფატი, გოგირდმჟავა კალციუმი, $CaSO_4$, მარილი; ბუნებაში მოიპოვება დიჰიდრატის $CaSO_4 \cdot 2H_2O$ (*თაბაშირი*) სახით და უწყლო მდგომარეობაში (ანჰიდრიტი). უწყლო კ. უფერული კრისტალებია, სიმკვრივე 2960 *კგ/მ*³, $t_{დნ}$ 1450°C. კ-ს იყენებენ საძერწ, სატვიფრავ და სამშენებლო მასალად, აგრეთვე მედიცინაში.

კალციუმფოსფატი, კალციუმის ფოსფორმჟავა მარილი, მაგ., $Ca_3(PO_4)_2$; იხ. აგრეთვე *ფოსფატები*.

კალციუმქლორიდი, ქლოროვანი კალციუმი, $CaCl_2$, მარილი; უფერული კრისტალები, სიმკვრივე 2510 *კგ/მ*³, $t_{დნ}$ 772°C. კ-ის წყალხსნარები დაბალ ტემპ-რაზე იყინება (20%-იანი — 18,57°C-ზე, 30%-იანი — 48°C-ზე). კ-ს ღებულობენ როგორც თანაპროდუქტს *სოდის* წარმოებაში. იყენებენ ლითონური კალციუმის მისაღებად, აირებისა და სითხეების გამოსაშრობად, სამაცივრო საქმეში, მედიცინაში და ა. შ.

კალციუმციანამიდი, $CaCN_2$, *ციანმჟავას* (ციანამიდი) კალციუმის მარილი. ღებულობენ კალციუმკარბიდისა და აზოტის ურთიერთქმედებით:

$$CaC_2 + N_2 \rightarrow Ca = N - C \equiv N + C +$$

+ 301 *კჯ/მოლ*. კ. *აზოტიანი სასუქია*, მისგან მიიღება სხვადასხვა აზოტშემცველი ნაერთი (შარდოვანა, ციანიდები და სხვ.).

კამა (Anethum), მცენარის გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. ერთწლოვანი, იშვიათად ორწლოვანია. ღრმად დანაკვეთული ფოთლები აქვს. ხმელთაშუა ზღვის აღმ-ით გვხვდება 3 სახეობა. უფრო გავრცელებულია A. graveolens, ერთწლოვანი მცენარეა, მკვეთრი სურნელი აქვს, ყვავილედი რთული ქოლგაა, კულტივირებულია, ხშირად ველურდება და ამ სახით ყველგანაა გავრცელებული. იყენებენ კერძებში, როგორც საკაზმ-სანელებელს და ეთერზეთოვან მცენარეს, აგრეთვე მწნილეულის დასამზადებლად. კ. შეიცავს A პროვიტამინს, B ჯგუფის ვიტამინებს, C ვიტამინს და სხვ.

კამა (<უდმ. კამ—მდინარე, დინება), მდინარე სსრკ-ის ევროპულ ნაწილში, ვოლგის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 1805 *კმ*, აუზის ფართ. 507 ათ. *კმ*². სათავე აქვს ზემო კამის მაღლობის ცენტრ. ნაწილში. მიედინება იმიერვოლგის მაღლობებს შორის. კ-ის შესართავიდან 966 *კმ*-ზე იწყება კამის, შემდეგ — ვოტკინსკის წყალსაცავი. ქვემოთში მიედინება განიერ (15 *კმ*-მდე) ხეობაში, სადაც მისი კალაპოტის სიგანეა 450—1200 *მ*. იტოტება მდ. ვიატკის შესართავის ქვემოთ. კ. ერთვის კუიბიშევის წყალსაცავს კამის ყურეში. მთავარი შენაკადებია: მარცხ. — სამრ. კელტმა, ვიშერა, ჩუსოვაია; მარჯვ. —კოსა, ობვა, ვიატკა. საზრდოობს თოვლის, მიწისქვეშა და წვიმის წყლით. გაზაფხულზე იცის წყალ-

დიდობა. წყლის საშ. ხარჯი კამის ჰესთან 1630 *მ³/წმ*, ვოტკინსკის ჰესთან დაახლ. 1750 *მ³/წმ*, შესართავთან დაახლ. 3500 *მ³/წმ*; მაქს. ხარჯი დაახლ. 27500 *მ³/წმ*. გაყინულია ნოემბრიდან აპრილამდე. წყალსაცავების შექმნამ გააუმჯობესა ნაოსნობა. სანაოსნოა 966 *კმ*-მდე. კ-ის ნაპირზე არის ნავსადგურები და ნავმისადგომები: სოლიკამსკი, ბერეზნიკი, ლევშინო, პერმი, კრასნოკამსკი, ჩაიკოვსკი, სარაპული, კამბარკა, ნაბერეჟნიე-ჩელნი, ჩისტოპოლი.

კამაგუეი (Camagüey), ქალაქი აღმ. კუბაში, კამაგუეის პრო. ადმ. ცენტრი. 228 ათ. მცხ. (1976). კამაგუეის პრო. მნიშვნელოვანი ეკონ. ცენტრი, გაშენებულია ცენტრ. საავტ. გზაზე. კვების, საფეიქრო, ქიმ. მრეწველობა, სას.-სამ. მანქანათმშენებლობა. კოლონ. პერიოდის არქიტ. ძეგლები. დაარსდა XVI ს-ში.

კამაისი, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ივატეს პრეფექტურაში. 73 ათ. მცხ. (1970). კ-ს ნავსადგური ტვირთბრუნვით I ადგილზეა ტოჰოკუს ეკონ. რ-ნში. ქვეყნის მთავარი რკინის მადნის აუზის (იაპ. რკინის მადნის მოპოვების დაახლ. 1/2) ცენტრი. კ-ში არის დიდი მეტალ. კომბინატი. ტრიკოტაჟის და თევზსაკონსერვო მრეწველობა. კ. ჩრდ. ჰონსიუს თევზჭერის ცენტრია.

კამალოვი ნიკოლოზ გერასიმეს ძე [დ. 14 (27). II. 1897, თელავი], საბჭ. პარაზიტოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1941). პროფესორი (1946), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა მოსკ. სამედ. ინ-ტი. 1930—53 თბილისში სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში მუშაობდა ჰელმინთოლოგიის განყ-ბის გამგედ. 1953—63 თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში განაგებდა ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ლაბორ. დიაგნოსტიკის კათედრას, ხოლო 1962-იდან დღემდე კლინიკური ლაბორ. დიაგნოსტიკის კათედრის გამგეა. კ. შეისწავლის ანკილოსტომიდოზს საქართველოში და ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, პაპატაჩისა და ლეიშმანიოზის გადამტანების საკითხებს; შეიმუშავა ამებიაზის, ლამბლიოზისა და ჰიპოქრომული ანემიის მკურნალობის მეთოდები და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: სამედიცინო პარაზიტოლოგია, თბ., 1960 (თანაავტ.); **Библиографический указатель по анкилостомидозам СССР**, Тб., 1974.

კამანი, სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში (შრომის სოფსაბჭო), მდ. გუმისთის ხეობაში. ზ. დ. 160 *მ*, სოხუმიდან 14 *კმ*. შრომის კოლ-ბა „გამარჯვება" (მეთამბაქოეობა, მეჩაიეობა). მარმარილოს კარიერი. საშ. სკოლა სოფ. ახალშენში (5 *კმ*). მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლი-ინტერნატი.

კამარა (ბერძნ. kamara), მრუდწირული მოხაზულობის მზიდი სივრცული კონსტრუქცია, რ-საც ახასიათებს განმბჯენი ძალვის წარმოქმნა და უმეტესად კუმშვაზე მუშაობა. განმბჯენი ძალვა ჩვეულებრივ გადაეცემა შემკვრელს, კონტრფორსს, განივ კედელს და ა. შ.; კ-ის მასალად იყენებენ რკინაბეტონს, ბეტონს, ქვასა და ხეს. კ-ის განივი კვეთი სწორხაზოვანი, დანაოჭებული ან მრუდწირულია. კ. გვხვდება ცილინდრული, შეკრული, ჯვაროვანი, სარკული, აფრის ფორმისა და გუმბათის სახით (ნახ.). კ-ით ხშირად ხურავენ სამრეწვ., საზ., სასაწყობო და სას.-სამ. შენობებს.

ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრებაში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ცილინდრული კ., რ-იც 2 პარალელურ კედელს ან სვეტების მწკრივს ეყრდნობოდა. იყო აგრეთვე ვარსკვლავისებრი, ისრული (XVI—XVIII სს.) და შეკრული კ-ები. უკანასკნელი შედგება სამკუთხა ელემენტებისაგან, რ-ებიც კ-ის წვეროში იყრიან თავს. შეკრული კ. ზოგჯერ გუმბათს ცვლიდა (XVI ს.; შიომღვიმის ძვ. ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი).

კამარახევის სამაროვანი. ძვ. წ. V—III სს. სამაროვანი სოფ. წიწამურის (მცხეთის რ-ნი) სამხრ-ით, მდ. არაგვისა და მისი შენაკადის დიდი კამარახევის მარცხ. ნაპირზე გაშლილ ვაკეზე. 1953, 1976—77, გათხარეს (ა. აფაქიძე, რ. რამიშვილი, თ. ჯღარკავა) 111 სამარხი. ორმოსამარხები ჩაჭრილია თიხნარში 1,25—2 *მ* სიღრმეზე. ოვალურ ან სწორკუთხა ორმოსამარხებში დაკრძალული იყო თითო, იშვიათად 2, ხელფეხმოკეცილი მიცვალებული; მამაკაცები დაკრძალული იყვნენ მარჯვ. გვერდზე, ქალები — მარცხენაზე. მიცვალებულს აფარებდნენ ქსოვილს ან ტყავს, იშვიათად ფოთლებიან ტოტებს, შემდეგ აყრიდნენ მცირეოდენ მიწას (50—70 *სმ*) და რიყის ქვებს. ქვაყრილს ისევ მიწით ფარავდნენ.

ქვის სამარხები გაჩნდა სამაროვნის არსებობის გვიანდ. საფეხურზე. კედლები ნაგები იყო ბრტყელი ლოდებით და ზოგჯერ ასეთივე ქვებით იყო გადახურული. მიცვალებულები ჩასვენებული იყვნენ ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, თავქვეშ ამოდებული ჰქონდათ ბრტყელი რიყის ქვა. სამარხებში აღმოჩნდა წითლად და ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი და წერნაქით მოხატული ჭურჭელი, ქალების სამარხებში — სამკაული (ბრინჯაოს სამაჯურები, ცილინდრულთავიანი საკინძები, ზარაკები, ძეწკვები, ილარი, მძივები და ბეჭდები), მამაკაცების სამარხებში — საბრძოლო იარაღი (რკინის შუბისწვერი, მოხრილი დანა, მახვილ-სატევარი და სხვ.). კ. ს-ში აღმოჩენილი სამტუჩა ხელადების, სამფეხა ჯამებისა და ტოლრების მსგავსი მასალა მოგვიანებით გვხვდება *ალაზანიალოილუთეფეს კულტურაში*.

ლიტ.: მცხეთა. არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგები, ტ. 2, თბ., 1978; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., კამარახევის სამაროვანი, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1959, ტ. 2.

რ. რამიშვილი.

კამარილია (ესპ. camarilla<camara—დარბაზი, სამეფო კარი), სასახლის დიდებულთა ჯგუფი, რ-იც თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენს სახელმწ. საქმეებზე პირადი გამორჩენის მიზნით. ტერმინი „კ." გაჩნდა ესპ. მეფე ფერდინანდ VII-ის (1808, 1814—33) დროს, რ-ის კარისკაცთა ჯგუფი სხდომაზე იკრიბებოდა სასახლის პატარა დარბაზში. შემდგომში სიტყვა „კ." საზოგადო სახელად იქცა.

კამარლო, სოფელი დმანისის რ-ნში (დმანისის სადაბო საბჭო), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1390 *მ*, დმანისიდან 7 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 37 *კმ*. დმანისის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი, საფერშლო-სამეანო პუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კამბალასნაირნი (Pleuronectiformes), თევზების რიგი. მათი სხეული გვერდებიდან გაბრტყელებულია, ამიტომ უმრავლესობა შედარებით განიერი და მოკლეა, სხეულის სიგრძე 5—470 *სმ* აღწევს. ზრდასრული კ. ფსკერზე ცხოვრობენ და გვერდზე წევან. ორივე თვალი ცალ მხარეზე აქვთ. სუბსტრატზე დაყრდნობილი მხარე ღია ფერისაა, მოპირდაპირე — პიგმენტირებული. რიგში 2 ქვერიგია: ფსეტოდისმაგვართა (Psettodoidei) ქვერიგიდან ცნობილია 2 სახეობა: აზიური ფსეტოდი (Psettodes erumei) გვხვდება ინდ. ოკეანეში, მეწამულ ზღვასა და სამხრ.-აღმ. აზიის სანაპიროებზე; კამბალასმაგვართა (Pleuronectoidei) ქვერიგში 4 ოჯახია. რომბისებრთა (Bothidae) ოჯახიდან აღსანიშნავია კესლერის არნოგლოსი (Arnoglossus kessleri), გავრცელებულია ხმელთაშუა და შავ ზღვებში. კამბალასებრთა (Pleuronectidae) ოჯახიდან საყურადღებოა ჩვეულებრივი პალტუსი (Hippoglossus hippoglossus), გვხვდება წყნარი და ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილებში; ზღვის ენისებრთა (Soleidae) ოჯახიდან შავ ზღვაში ბინადრობს ჩვეულებრივი ზღვის ენა (Solea solea); ცინოგლოსისებრთა (Cynoglossidae) ოჯახიდან აღსანიშნავია ორხაზიანი ცინოგლოსი (Cynoglossus bilineatus).

კ. ტიპობრივი ზღვის ფსკერის ბინადრები არიან. ზოგი სახეობა, მაგ., მდინარის, ვარსკვლავა და პოლარული კამბალები, შედის მდინარის შესართავში. კ-თა ლარვას საცურავი ბუშტი აქვს, ცხოვრობს წყლის სიზრქეში და პლანქტონით იკვებება. ზრდასთან ერთად მისი ქალა ასიმეტრიული ხდება, საცურავი ბუშტი ქრება, სხეული ბრტყელდება და ლიფსიტა საცხოვრებლად ფსკერზე ეშვება.

კ-თა უმრავლესობას სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ყველაზე მეტი რაოდენობით მზადდება პალტუსი. შავ ზღვაში, კერძოდ, საქართველოს სანაპირო ზონაში, რეწვის ობიექტია შავი ზღვის კამბალა ანუ კალკანი.

ა. ჯანაშვილი.

მანგლისის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის კამარა. XI ს. I მეოთხედი.

კამბეის ყურე, ყურე არაბეთის ზღვის ჩრდ. ნაწილში, ინდოეთის დას. ნაპირთან. ხმელეთში შეჭრილია 250 *კმ*-ზე. სიღრმე 36 *მ*-მდე. კ. ყ-ს ერთვის მდ-ები ნარბადა და ტაპტი. მოქცევა შერეულია, სიმაღლე 11,9 *მ*-მდე. ყურის ნაპირებზეა ქ-ები სურატი და ბპავნაგარი.

კამბერლენდი (Cumberland), პლატო აშშ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, აპალაჩის მთების სამხრ.-დას. მთისწინეთი. სიმაღლე 1200 *მ*-იდან (აღმ.) 500 *მ*-მდე (დას.). აგებულია ქვიშაქვებითა და კირქვებით. დასერილია კამბერლენდისა და ტენესის მდ-თა სისტემებით. განვითარებულია კარსტი. შემოსილია ფოთლოვანი ტყით. იღებენ ქვანახშირს (*აპალაჩის ქვანახშირის აუზი*).

კამბერლენდი (Cumberland), ყურე ატლანტის ოკეანეში, კ. ბაფინის მიწის სამხრ.-აღმ. ნაპირთან. ხმელეთში შეჭრილია 259 *კმ*-ზე, სიგანე დაახლ. 74 *კმ*. სიღრმე ყურის შესასვლელში 360—550 *მ*. ნაპირები მაღალი და კლდოვანია. სექტ. ბოლოდან ივნისამდე იყინება. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 7 *მ*.

კამბერლენდის მთები (Cumberland Mountains), მთის მასივი დიდი ბრიტანეთის დას. ნაწილში. უმთავრესად აგებულია პალეოზოური ფიქლებით, კვარციტებითა და გრანიტული ინტრუზიებებით. მაქს. სიმაღლე 978 *მ* (მთა სკოფელი). განვითარებულია მყინვარული რელიეფი. ჰავა ნოტიო ოკეანისა. კალთებზე მდელო და ტორფნარია, ხეობებში — მუხნარ-იფნარი და არყის ტყე. 1951-იდან კ. მ-ში შეიქმნა ლეიკ-დისტრიქტის ეროვნ. პარკი.

კამბეჩოვანი, კ ა მ ბ ე ჩ ა ნ ი, კ ა მ ბ ე ჩ ი ა ნ ი (სახელწოდება წარმოდგება კამეჩ-კამბეჩისაგან), მხარე შუა საუკუნეების საქართველოში, კახეთში. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალაზნის ქვემოწელსა და მდ. მტკვარს შორის. ცენტრი *ხორნაბუჯი*. ანტ. წყაროებში მოხსენიებულია სტრაბონთან (ძვ. წ. I — ახ. წ. I სს.) როგორც კ ა მ ბ ი ს ე ნ ე. ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში კ. ალბანურ (იხ. სტ. *ალბანეთი* კავკასიისა) ტომთა კავშირის გაერთიანებაში შედიოდა. აქ ერთმანეთს ემიჯნებოდნენ იბერიელები (აღმ. ქართველები), ალბანელები და სომხები. კ-ის გამო ხშირად ეცილებოდნენ ერთმანეთს იბერიისა და ალბანეთის სახელმწიფოები. V ს. ბოლოდან, მას შემდეგ, რაც აქ მეფე ვახტანგ გორგასალმა ხორნაბუჯის საეპისკოპოსო დააარსა, კ. მკვიდრად შევიდა ქართ. კულტურული და პოლიტ. გავლენის სფეროში. VI ს-ში, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, კ. სპარსელთა მოხელეს ემორჩილებოდა. VII ს. შუა წლებიდან აქ არაბები ბატონობდნენ. VIII ს. II ნახევრიდან *კ. ჰერეთის* სამთავროს შემადგენელი ნაწილი იყო. XI ს. დასაწყისში, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანე-



კამბალას (პალტუსის) განვითარება: ქვირითი, ლარვა, ლიფსიტა.



კამბალასნაირნი: 1—შავი პალტუსი; 2—იგივე სუბსტრატზე დაყრდნობილი მხრიდან; 3—პალტუსი; 4—გრძელდინგა კამბალა; 5—ყვითელმუცელა კამბალა; 6—ზღვის კამბალა; 7—ვარსკვლავა კამბალა.



კამბიუმის პროზენქიმული უჯრედის სქემა; ა—სიგრძივი ტანგენტალური ჭრილი; ბ — სიგრძივი რადიალური ჭრილი; გ—განივი ჭრილი.

ბის შემდეგ, კახეთის სამეფოს საერისთავო გახდა. XII ს-ში გაერთიანებულ საქართვ. სახელმწიფოში კ. ერთ-ერთი სანაპირო საერისთავოა. XIII ს. დასაწყისში იგი რამდენიმეჯერ ააოხრეს ხვარაზმელებმა, შემდეგ — მონღოლებმა. XV ს. ბოლოდან ისტ. კ. *ქიზიყად* იწოდება.

დ. მუსხელიშვილი.

კამბიალური უჯრედები (<გვიანდ. ლათ. cambium — შეცვლა, შენაცვლება), წ ა რ მ ო მ ქ მ ნ ე ლ ი უ ჯ რ ე დ ე ბ ი, ადამიანისა და ცხოველთა ქსოვილების არადიფერენცირებული უჯრედები, რ-თაც გამრავლებისა და ამ ქსოვილის უჯრედების დიფერენცირების უნარი აქვთ. ყოველი ქსოვილისათვის დამახასიათებელია კ. უ-ის თავისებური ფორმა, რ-საც ამ ქსოვილის უჯრედების წარმოქმნის უნარი აქვს. კ. უ-ის არსებობა უზრუნველყოფს შესაბამისი ქსოვილის უჯრედთა პოპულაციების განახლებას მათი ნორმალური ფუნქციონირებისას (ე. ი. ფიზიოლ. რეგენერაციისას) და აგრეთვე მათ შეკვსებას დაზიანების შედეგად დაღუპვის დროს (ე. ი. რეპარაციული რეგენერაციისას). კ. უ-ის ხარჯზე განახლების უნარი (კამბიალურობა) კარგად არის გამოხატული ეპითელურ და შემაერთებელ ქსოვილებში. ტერმინი „კ. უ." შეზოილო აკად ა. ზავარზინმა.

კამბისე, კ ა მ ბ უ ჯ ი ა (დ. წ. უცნობია, — ძვ. წ. 522), ძვ. სპარსეთის აქემენიდთა დინასტიის მეფე ძვ. წ. 530—522. კიროს II-ის ძე. ბაბილონურ ტექსტებში 539-იდან (ჯერ კიდევ მამის მეფობაში) არის მოხსენიებული როგორც „ბაბილონის მეფე". „მეფე ქვეყნებისა". 525 გაილაშქრა ეგვიპტეზე, გაანადგურა ეგვ. ჯარი პელუზიუმთან, ფარაონი ტყვედ ჩაიგდო და ეგვიპტე დაიპყრო. 524 ნუბიაში შეიჭრა, მაგრამ დამარცხდა. ამ დროს მის წინააღმდეგ აჯანყდა *გაუმატა*. კ. იძულებული გახდა სპარსეთში დაბრუნებულიყო. გარდაიცვალა გზაში. ისტ. ტრადიცია (განსაკუთრებით ჰეროდოტე) მას წარმოგვიდგენს როგორც სასტიკ, დაუნდობელ დამპყრობელს (*აპისის* მოკვლა, ეგვ. რელიგიის აბუჩად აგდება და სხვ.), ნამდვილად კი კ. აგრძელებდა თავისი მამის პოლიტიკას, პატივისცემით ეკიდებოდა ადგილ. ადათებს და რელიგ. რწმენას.

ლიტ.: Ф р а й Р., Население Ирана, [пер. с англ.], М., 1972.

კამბიუმი (გვიანდ. ლათ. cambium — შეცვლა, შენაცვლება), წარმომშობი ქსოვილი (*მერისტემა*) ორლებნიან და შიშველთესლოვან მცენარეთა ღეროსა და ფესვში; განლაგებულია ერთრიგა ცილინდრულ შრედ. კ-ის მოქმედებით ღერძული ორგანოები სისქეში იზრდება. გარეთ (პერიფერიისაკენ) ის წარმოქმნის მეორეულ ფლოემას (ლაფანს), შიგნით უფრო სქელ—მეორეულ ქსილემას (მერქანს). ღეროში კ. წარმოიქმნება პირველად ფლოემასა და ქსილემას შორის მდებარე *პროკამბიუმის* უჯრედებიდან. ფესვში კი მის წარმოქმნაში მონაწილეობს *პერიციკლი*. ფოთოლში კ. არ არის ან, თუ არის, მისი მოქმედება ადრე წყდება. კ-ის უჯრედები პროზენქიმულია—მოგრძო წაწვეტებული. შემოდგომისა და ზამთრისათვის კ-ის მოქმედება წყდება. მოქმედების ეს პერიოდულობა იწვევს *წლიური რგოლების* წარმოქმნას. კ-ის უჯრედების დაყოფის მიხედვით არჩევენ იარუსოვან და არაიარუსოვან კ-ს. ზოგ ორლებნიანს (მაგ., ჭარხალი) ღეროსა და ფესვში უჩნდება კ-ის დამატებითი რგოლები (პ ო ლ ი კ ა მ ბ ი უ რ ო ბ ა).

კამბიფორმი (*კამბიუმი* და ლათ. forma — სახე, ფორმა), მცენარის *ფლოემის* წაგრძელებული ცოცხალი, თხელგარსიანი უჯრედები. წარმოიქმნება პროკამბიუმის ან კამბიუმის თითისტარისებრი უჯრედებიდან.

კამბრე (Cambrai), ქალაქი ჩრდ. საფრანგეთში, მდ. შელდის ნაპირზე, ნორის დეპარტამენტში. 40 ათ. მცხ. (1968). სატრანსპ. კვანძი. მაქმანების, ბატისტის, ტრიკოტაჟისა და მათი ნაწარმის დამზადება. ლუდის, შაქრის, საკონდიტრო მრეწველობა. ძველად იყო რომაული ქალაქი — კამერაკუმი (Cameracum). V ს-იდან ფრანკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. 843 ვერდენის ხელშეკრულებით ლოთარინგიას გადაეცა. 880 ააოხრეს ნორმანებმა. ეპისკოპოსებთან ბრძოლის შედეგად 1076 მიიღო კომუნის უფლებები. *იტალიური ომების* (1494—1559) დროს კ-ში შეიქმნა (1508) ანტივენეციური კამბრეს ლიგა. 1678 ნიმეგენის ზავით შეუერთდა საფრანგეთს.

კამბრიული სისტემა (პერიოდი) (< ლათ. Cambria — უელსის ძვ. სახელწო-

ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲙᲐᲛᲑᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲞᲐᲚᲔᲝᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ



ხმელეთი · ზღვა ბაქნებზე · ზღვა გეოსინკლინებში · კონტინენტური ნალექები · არქეოციათებიანი ან ნყალმცენარეებიანი ბიოპერმები · ვულკანიზმი · ბაქნების საზღვრები

რუკის ავტორები · ა. როზანოვი, კ. სესლავინსკი, კონსულტანტი ვ. ხაინი

დება), პალეოზოური ჯგუფის პირველი სისტემა (გეოლ. წელთაღრიცხვის პალეოზოური ერის პირველი პერიოდი). აბსოლ. გეოქრონოლოგიით კ. პ. დაიწყო 570 მლნ. წლის წინათ და გრძელდებოდა 70 მლნ. წელიწადს. კ. პ. დაადგინა ინგლ. გეოლოგმა ა. სეჯუიკმა (1835) უელსში. იყოფა ქვედა, შუა და ზედა სექციად. ამ სისტემას საყოველთაოდ მიღებული სართულებად დანაწილება არა აქვს. სსრკ-ში გამოყოფილ სართულებს შეესაბამება დას. ევროპისა და აშშ-ის ადგილ. ფაუნისტური ზონები (იხ. ცხრ.). ადრინდ. კამბრიულ ეპოქას ახასიათებს ვრცელი ტრანსგრესიები. თანამედროვე კონტინენტების დიდი ნაწილი ამ დროს თბილი ზღვით დაიფარა, რ-ის ფსკერზე კარბონატული ქანები და მარილები ილექებოდა. შუაკამბრიულში დაიწყო რეგრესიები, რ-ებიც ზედაკამბრიულშიც გაგრძელდა. გაჩნდა ხმელეთის ახ. უბნები, რაც კალედონიურ დანაოჭებასთან იყო დაკავშირებული. ამაზე მიუთითებს გეოსინკლინურ აუზებში ძლიერი მაგმატიზმის ნიშნები და გვიანდ. კამბრიულ ეპოქაში წარმოქმნილი ლაგუნური წითელი ფერის ნალექები. კ. პ-ში დიდი რაოდენობით გვხვდება ლურჯმწვანე და წითელი წყალმცენარეები. კ. პ-ში 3 პალეოზოოგეოგრ. ოლქი ჩაისახა — ატლანტიკური, წყნაროკეანური და აღმ. აზიის. ამ დროს, პირველად დედამიწის გეოლ. ისტორიაში, გაჩნდნენ ჩონჩხიანი ორგანიზმები და პერიოდის დასასრულისათვის ცხოველთა სამყაროს თითქმის ყველა ტიპი არსებობდა. ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული ცხოველები იყვნენ არქეოციათები და ტრილობიტები. გვიანდელ კამბრიულ ეპოქაში ჩნდება ტაბულატები და გრაფტოლითები. კ. ს-ის ქანები ფართოდაა გავრცელებული. მათთანაა დაკავშირებული ფოსფორიტების, ნავთობის, ტყვიის, მარმარილოს და სხვ. საბადოები.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ო. ხუციშვილი.

კ ა მ ბ რ ი უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ი ს ს ტ რ ა ტ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ს ქ ე მ ა.

		ევროპა (ქვედა და შუაკამბრიული), აშშ (ზედაკამბრიული)	სსრკ-ში 1961—70 დამუშავებული სქემა
სექციები		სართულები	
ზედა		ტრემპელეიენური	შიდერტული
		ფრანკონული	
		დრესბაჩული	ტუორული
შუა		C	მაიური
		B	ჩაიური
		A	ამგური
ქვედა	სარეფერენციო ადგილები	პროტოლენუსებიანი ჰორიზონტი	ლენური
			ბოტომური
		ჰოლმიებიანი ჰორიზონტი	ატდაბანური
		სუბჰოლმიებიანი ჰორიზონტი	ტომოტური

კამბრიულისწინა დანაოჭების ეპოქები, ინტენსიური ტექტონიკურ-მაგმური აქტივობის ეპოქები, რ-ებიც გამოვლინდა დედამიწის კამბრიულისწინა ისტორიის მანძილზე [იხ. *კამბრიულისწინა წყებები* (დრო)]. კ. დ. ე-ის აბსოლ. ასაკის განსაზღვრა და მათი რეგიონული კორელაცია შესაძლებელია რადიოგეოლ. მეთოდებით მეტამორფიზმის დროისა და მაგმური ქანების ასაკის განსაზღვრის საფუძველზე. დადგენილია კამბრიულისწინა ტექტონო-მაგმური აქტივობის რამდენიმე გლობალური ეპოქა, რ-ებიც ცნობილია სხვადასხვა კონტინენტებზე ლოკალური სახელწოდებით. ესენია: არქეული დანაოჭება, *ბელომორული დანაოჭება, კარელიური დანაოჭება, ასინტური დანაოჭება, ბაიკალური დანაოჭება* და სხვ. კ. დ. ე-ის საერთო ნიშანია რეგიონული მეტამორფიზმისა და გრანიტიზაციის პროცესების მეტად ფართო გამოვლინება და მათი ინტენსივობის თანდათან კლება ძველიდან ახალი ეპოქისაკენ, ხოლო მთათწარმოშობისა და დანაოჭების მასშტაბები, როგორც ჩანს, *ფანეროზოური დროის* ეპოქებთან შედარებით მცირე იყო. *ო. ხუციშვილი.*

კამბრიულისწინა წყებები (დრო), დედამიწის ქერქის ამგები უძველესი ქანები და მათი წარმოქმნის შესაბამისი დრო, რ-იც დედამიწის გეოლ. ისტორიის ადრეულ ეპოქებით 6/7-ს შეადგენს. კ. დ. დაიწყო დაახლ. 3500 მლნ. წლის წინათ და გრძელდებოდა დაახლ. 2900 მლნ. წელიწადს კამბრიულის დასაწყისამდე. დედამიწის გეოლ. ისტორიის უფრო ადრეული პერიოდი ჯერ უცნობია. კ. წ. პირველად ამერ. გეოლოგებმა დაანაწილეს არქეულ ჯგუფად (ჯ. დანა, 1872) და პროტეროზოურ ჯგუფად (უ. ჰ. ემონზი, 1888). კ. წ-ით არის აგებული ყველა ძვ. ბაქნის და მათზე მიზრდილი ნაოჭა სისტემების შუალედი მასივების ფუნდამენტი. ადრეულ კ. წ-ს წარმოადგენს გნაისები, მიგმატიტები, კრისტალური ფიქლები, ამფიბოლიტები და სხვ. ისინი ქმნიან სხვადასხვა შედგენილობის დიდი ინტრუზიებით გაკვეთილ რთულ ნაოჭა კომპლექსებს, რაც იმ დროს გეოსინკლინური პირობების არსებობაზე მიუთითებს. კ. წ-ში უკვე შეიმჩნევა სხვადასხვა ორგანიზმების არსებობის ნიშნები. ამგვარი უძველესი ქანების ასაკი 2500 მლნ. წელია.

კ. წ-ის წიაღისეულიდან აღსანიშნავია რკინის უდიდესი საბადოები (ჯესპილიტები და რკინიანი კვარციტები). მნიშვნელოვანია ალუმინის, მანგანუმის, ოქროს, სპილენძის, კობალტისა და ნიკელის მადნებიც.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ო. ხუციშვილი.

კ ა მ ბ რ ი უ ლ ი ს წ ი ნ ა წ ყ ე ბ ე ბ ი ს ს ტ რ ა ტ ი გ რ ა ფ ი უ ლ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს ს ქ ე მ ა

ქ ვ ე დ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი			ქვედანაყოფის დასასრულის დრო (მლნ. წელი)
პროტეროზოური	ზედა (რიფეული)	ვენდური	570
		ზედა	680
		შუა	1100
		ქვედა	1400
	შუა		1600
	ქვედა		1900
არქეული			2500—2700

კამბუჯადევა, ქმერების ფეოდალური სახელმწიფო (IX—XIII სს.), მდებარეობდა ახლანდელი კამპუჩიის, ნაწილობრივ ლაოსის, ტაილანდის, ვიეტნამისა და ბირმის ტერიტორიაზე. ცენტრი იაშოდჰარაპურა. ისტ. ლიტერატურაში ცნობილია ანგკორის კამბოჯის სახელწოდებით. კ-ის შექმნით დასრულდა ქმერებითა და მათი მონათესავე ხალხით — მონებით — დასახლ. მიწების გაერთიანება. კ-ის სამეფო დინასტიის დამაარსებელია ჯაიავარმან II (ქვეყანას განაგებდა დაახლ. 802—850). კ-ში განვითარებული იყო სახელმწ. საკუთრება მიწაზე (უმთავრესად სახელმწ. ტაძრების მიწათმფლობელობის ფორმით), მთელი ძალაუფლება ხელთ ეპყრა გაღმერთებულ მონარქს. XII—XIII სს-ში კ-ში აშენდა უდიდესი ტაძრები (ანგკორ-ვატი, ანგკორ-თომი და სხვ.). XII—XIII სს. დასაწყისში, განსაკუთრებით სურიავარმან II-ისა (განაგებდა 1113—50) და ჯაიავარმან VII-ის დროს კ. ეწეოდა დამპყრობლურ ომებს და საგრძნობლად გაფართოვა თავისი ტერიტორია. XIII ს-ში სამეფო ხელისუფლება თანდათან შესუსტდა. გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა. იმპერიამ დაკარგა არაქმერული ოლქები და XIII ს. ბოლოს დაიშალა. „კ." დიდი ხნის განმავლობაში დარჩა საკუთრივ ქმერების სახელმწიფოს ოფიც. სახელწოდებად.



კამბიუმი. სელის ღეროს განივი ჭრილის ნაწილი: ა—კამბიუმი; ბ—მერქანი; გ—ლაფანი.

კამეა (ფრანგ. camée< იტალ. cammeo), კვეთილი ქვა რელიეფურად შესრულებული ამობურცული გამოსახულებით. ცნობილია ძვ. წ. IV ს-იდან. კ-ის ამოსაკვეთად ჩვეულებრივ, იყენებენ მრავალფეროვან ქვებს (ფონი ერთი ფერისაა, გამოსახულება სხვა ფერისა). იხ. აგრეთვე *გლიპტიკა.*

კა-მეზონები, K-მ ე ზ ო ნ ე ბ ი, კ ა ო ნ ე ბ ი, იმ *ელემენტარული ნაწილაკების* ძირითადი მეზონური ჯგუფი, რ-თაც აქვთ *უცნაურობის* კვანტური რიცხვი (მუხტი). ჯგუფი შედგება 4 არასტაბილური ნაწილაკისაგან: დამუხტული K^+ და ნეიტრალური K^0-მეზონებისა და მათი K^- და $\tilde{K}^0$ ანტინაწილაკებისაგან.

კ.-მ. პირველად 1947 შეამჩნიეს ჯოსმ. სხივებში ჯ. როჩესტერმა და ს. ბატლერმა. ცხრილში (იხ. გვ. 346.) კ.-მ-ის ძირითად თვისებებთან ერთად მოყვანილია მათი დაშლის გზები (არხები). დაშლის თვისებების გამოკვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში აღმოეჩინათ სივრცული *ლუწობის* დარღვევა, რ-ითაც დასტურდება, რომ მცირე მანძილებზე (10^{-16}—10^{-17} *სმ*) სივრცეს არა აქვს სარკული სიმეტრია (ცუ. *ლი* და ჩ. *იანგი*, 1957), და კომბინირებული (სივრცულ-მუხტური) ლუწობის დარღვევა (ჟ. კრონინი და სხვ., 1964).

მეტად მნიშვნელოვანია არსებობა ელექტრულად ნეიტრალური K^0 და $\tilde{K}^0$ ნაწილაკებისა, რ-ებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნივთიერებაში შთანთქმის მიხედვით. მათ შეუძლიათ ურთიერთგარდაქმნა *სუსტი ურთიერთქმედების* შედეგად. ამ გარდაქმნების პროცესში *კვანტური მექანიკის* თანახმად K^0 და $\tilde{K}^0$ მდგომარეობების ნაცვლად წარმოიქმნება ახ. „შერეული" მდგომარეობები K^0_S და K^0_L (მ. გელ-მანი და ა. პაისი, 1955). აღმოჩნდა, რომ $K^0 \leftrightarrow \tilde{K}^0$ გადასვლის პროცესში „შერეული" მდგომარეობები იძენს ახ. კვანტურ რიცხვს — მიახლოებით კომბინირებულ ლუწობას. K^0_S ძირითადად ლუწი სისტემაა, K^0_L კი — კენტი. ამიტომ K^0_S-მეზონი დაბრკოლების გარეშე იშლება აგრეთვე ლუწ (2π)-სისტემად, K^0_L-მეზონი კი უმთავრესად (π $e\nu_e$), (π$\mu\nu_\mu$) და (3π) არხებით იშლება, რაც ენერგეტიკულად გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელია. ამ მიზეზის გამო K^0_L მეზონის სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრად (~ 600-ჯერ) მეტია K^0_S-მეზონის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

თანამედროვე თეორ. წარმოდგენები კ.-მ-ის შინაგანი სტრუქტურის შესახებ *კვარკების* მოდელს ემყარება. კ.-მ. u-და d-კვარკებთან ერთად აუცილებლად შეიცავს უცნაურ s-კვარკს ან მის ანტინაწილაკს.

ლიტ.: Л и Ц., В у Ц., Слабые взаи-

კამბრიული სისტემის სახელმძღვანელო ნამარხები. ტრილობიტები: 1, 2—Dasometopus; 3 — Anamocarioides; 4 — Judomia; არქეოციათები: 5, 6—Aldanocyathus, Dokidocyathus, Tumulocyathus; წითელი წყალმცენარეები; 7—Epiphyton.



კამბრიული სისტემის სახელმძღვანელო ნამარხები. ჭიები: 1 — Anabarites; ტომოტიდები: 2—Camenella; 3—Tommotia; ქოლოთეები; 4—Burithes; 5—Allatheca; გასტროპოდები; 6—Latouchella; 8—Aedanella; ქოლოთეელმინტები; 7—Spinulitheca; 9—Discinela (სისტემატიკური მდებარეობა გაურკვეველია)

იაპონური კამელია: 1— კულტურული ბუთხუზა ფორმა; 2—ველური მცენარე.

ს. კამენევი.

ვ. ა. კამენსკი.

модействия, пер. с англ., М., 1968; Окунь Л. Б., Слабое взаимодействие элементарных частиц, М., 1963. *ჯ. ჩქარეული.*

კამელია (Camellia), მარადმწვანე ხეებისა და ბუჩქების გვარი ჩაისებრთა ოჯახისა. მისი 80-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია აზიის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. იაპონური კ. (C. japonica) და მისი ჰიბრიდული ფორმები მოჰყავთ ოთახებსა და ორანჟერეებში (კავკასიასა და სანხრ. ყირიმში კი — ღია გრუნტში). ჩინური კ-ის ანუ ჩაის ბუჩქის (C. sinensis და C. assamica) ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ *ჩაის.* ზეთის ანუ ევგენოლის კ-ის (C. sasanqua) ფოთლებისაგან იღებენ ეთეროვან ზეთს. დეკორ. მცენარეებია. მოშენებულია საქართვ. შავი ზღვის სანაპიროზე ბაღებსა და პარკებში.

კამენევი სერგეი სერგეის ძე [4 (16). IV. 1881, კიევი, — 25. VIII. 1936, მოსკოვი], საბჭ. სამხედრო მოღვაწე, I რანგის კომანდარმი (1935). სკკპ წევრი 1930-იდან. დაამთავრა ალექსანდრეს სამხ. სასწავლებელი (1900) და გენშტაბის აკადემია (1907). I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ეკავა საშტაბო თანამდებობები, იყო 1-ლი არმიის ოპერატ. სამმართველოს უფროსი, ქვეითი პოლკის მეთაური. 1918 მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში, იყო დას. საფარის ნეველის უბნის სამხ. ხელმძღვანელი, მე-17 მსროლელი დივიზიის მეთაური, 1918 სექტ. — 1919 ივლ. — აღმ. ფრონტის ჯარების სარდალი. 1919 ივლ.—1924 აპრ. — რესპ. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. კ. ასრულებდა ვ. ი. ლენინისა და პარტიის ცკ-ის დირექტივებს — ხელმძღვანელობდა წითელი არმიის მიერ თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების განადგურებას. 1924 აპრ-იდან მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში იყო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1924 აპრ. — 1927 მაისი სსრკ რევ. სამხ. საბჭოს წევრი, 1927 მაისი—1934 ივნ. სამხ. და საზღვ. საქმეთა სახკომის მოადგილე და სსრკ რევ. სამხ. საბჭ. თავ-რის მოადგილე. იყო საკ. ცაკის წევრი. დაჯილდოებულია ოქროს საბრძოლო იარაღითა და საპატიო რევ. ცეცხლსასროლი იარაღით, რ-ებზეც წითელი დროშის ორდენის ნიშნებია გამოსახული. დაჯილდოებულია აგრეთვე 3 ორდენით.

კამენეც-პოდოლსკი, ქალაქი უკრ. სსრ ხმელნიცკის ოლქში, მდ. სმოტრიჩის (დნესტრის მარცხ. შენაკადი) ქვემოთში. რკინიგზის სადგ., საავტ. გზების კვანძი. 79 ათ. მცხ. (1977). დაარსდა XI ს. ბოლოსა და XII ს. დასაწყისში. შედიოდა კიევის რუსეთში, XIII ს.—XIV ს. I ნახევარში — გალიჩ-ვოლინის სამთავროში. XIV ს. II ნახევარში დაიპყრო ლიტვამ, 1430 — პოლონეთმა, 1672 — ოსმალეთმა, მაგრამ კარლოვიცის კონგრესის (1698—99) გადაწყვეტილებით დაუბრუნდა პოლონეთს. 1793 შევიდა რუს. შემადგენლობაში. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 1 (14) ნოემბერს. 1941 წ. 10 ივლისიდან 1944 წ. 26 მარტამდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ქალაქში არის მანქანათსაშ. ქ-ნები, საშენ მასალათა კომბინატი, კვებისა და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები. პედ. და სას.-სამ. ინ-ტები, 4 ტექნიკუმი, სამედ. და კულტ.-საგანმან. სასწავლებლები. ბოტან. ბაღი. ქალაქის ძვ., შუა საუკ. ნაწილში, შემორჩენილია „თურქული ციხესიმაგრე" (ახლა ისტ. მუზეუმი; XIV—XVI სს., გადაკეთებულია XVII—XVIII სს-ში), პეტრე-პავლეს ეკლესია (XVI ს.), გოთიკური სტილის კოსტიოლი (XVI ს.) და თურქული მინარეთი (1672—92), რატუშა (XVI ს.). ქალაქის ძვ. ნაწილი ქვის ორი ხიდით დაკავშირებულია ახალთან, სადაც შენდება დიდი საცხოვრ. მასივები.

კამენკა, ქალაქი (1951-მდე დაბა) რსფსრ პენზის ოლქში, მდ. ატმისის (ოკის აუზი) ნაპირზე. კამენკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. (ბელინსკაია), პენზიდან 80 *კმ.* სას.-სამ. მანქანათმშ., აგურის, სამშენებლო დეტალების, ნახშირორჟანგის, ბურღულის, თესლის, ზეთსახდელი, ლუდის ქ-ნები, ხორცკომბინატი. საღამოს მანქანათმშ. ტექნიკუმი.

კამენკა, ქალაქი (1956-იდან) უკრ. სსრ ჩერკასის ოლქში, მდ. ტიასმინის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე. კამენკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ჩერკასი — ზნამენკის ხაზზე. მანქანათსაშ., შაქრის, სპირტის, ზეთსახდელი, საშენ მასალათა ქ-ნები.

კამენკის ნაქალაქარი, ძვ. წ. V ს. დასასრულის — ძვ. წ. III ს. სკვითების ნამოსახლარი ქ. კამენკა-დნეპროვსკაიასა და სოფ. დიდ ზნამენკასთან (უკრ. სსრ). გათხარეს 1899—1900 (დ. სერდიუკოვი), 1938—41 და 1944—50 (ბ. გრაკოვი). ველის მხრიდან ნამოსახლარს იცავდა თხრილი და მიწაყრილი, ჩრდ-იდან და დასიდან — მდინარეების დნეპრისა და კონკის ფლატეები და ბელოზერსკის ლიმანი. კ. ნ-ის სამხრ.-დას. ნაწილში მდებარე აკროპოლისში ქვის სახლებში ცხოვრობდნენ სკვითი დიდებულები; ნამოსახლარის მიწურებსა და ხისსვეტებიან მიწისზედა ნაგებობებში კი — ხელოსნები. მოსახლ. ძირითადი საქმიანობა იყო ბრინჯაოსა და რკინის იარაღის დამზადება, ფეიქრობა, მეთუნეობა, აგრეთვე მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. კ. ნ. მსხვილი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრი იყო, რ-საც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. კოლონიებთან და სკვითეთის ადგილ. მოსახლეობასთან. ძვ. წ. III ს. ბოლოს კ. ნ-ში ცხოვრება შეწყდა, აკროპოლისში კი ახ. წ. III ს-მდე გრძელდებოდა.

ლიტ.: Граков Б. Н., Каменское городище на Днепре, «Материалы и исследования по археологии СССР», 1954, в. 36.

კამენსკი ვალენტინ ალექსანდრეს ძე [16 (29). IX. 1907, ტულა.—21. XI. 1975], რუსი საბჭ. არქიტექტორი. სსრკ სახ. არქიტექტორი (1970). სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა ლენინგრ. სამრეწვ. მშენებლობის საინჟინრო ინ-ტი (1931). პედ. მოღვაწეობას ეწევა 1931-იდან (1959-იდან პროფესორი). 1951—71 ლენინგრ. მთავარი არქიტექტორი. 1960—80 ლენინგრ. განვითარების გენ. გეგმის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. გაფიცვათა პროსპექტის (1951—55) და კომკავშირის მოედნის (1956), საგარაჟო რ-ნის (1960) დაგეგმარება-განაშენიანების პროექტების ხელმძღვანელი, ვასილის კუნძულის ექსპერ. საცხოვრ. რ-ნ'ს (1967) და სხვ. ერთ-ერთი ავტორი. ლენინური პრემია (სიკვდილის შემდეგ, 1978). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

კამენსკი ვასილი ვასილის ძე [5 (17). IV. 1884, პერმის მახლობლად, — 11. XI. 1961, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი. იყო ერთ-ერთი პირველი რუსი პილოტიც (1910—11). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1904-იდან. 1914 „კუბოფუტურისტების" ჯგუფთან (ვ. მაიაკოვსკი, დ. ბურლიუკი) ერთად იმოგზაურა საქართველოში. ამ მოგზაურობითაა შთაგონებული კ-ს ლექსი „თბილისი" (1914). მისი ადრეული ლექსები ფუტურისტული ხასიათისაა. კ-ს მთავარი ნაწარმოებებია პოემები „სტენკა რაზინი" (1912—20), „ემელიან პუგაჩოვი" (1931), „ივანე ბოლოტნიკოვი" (1934). საქართველოს ეხება კ-ს ლექსები „მატარებელი მიგვაქროლებს", „არ შემიძლია უთბილისოდ", „აჭარისტანი", „წერილი სორენტოში" და სხვ. (კრებ. „ლექსები ამიერკავკასიაზე", თბ., 1932). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Путь энтузиаста. Автобиографич. повесть, Пермь, 1968; Стихи, М., 1977; Юность Маяковского, Тфл., 1931.

დ. თუხარელი.

კამენსკ-ურალსკი, ქალაქი (1935-იდან) რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ-ების კამენკისა და ისეტის (ობის აუზი) შესართავთან. სარკინიგზო კვანძი. 187 ათ. მცხ. (1979). შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ., საშენ მასალათა, მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები. ქ-ნები: ურალის ალუმინის, სინარის მილების, „სტროიმონტაჟკონსტრუქცია", ელექტრომექან., სავაჭრო მოწყობილობის, ავტოსარემონტო და სხვ., სამკერვალო ფ-კა. ურალის პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, ალუმინის მრეწვ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კამენსკ-შახტინსკი, ქალაქი (1927-იდან) რსფსრ როსტოვის ოლქში, ნავმისადგომი მდ. ჩრდ. დონეცის ნაპირზე. რკინიგზის სადგ. (კამენსკაია) მილეროვო—დონის როსტოვის ხაზზე. 76 ათ. მცხ. (1977). ხელოვნური ბოჭკოს, ხორცის და საშენ მასალათა კომბინატები, მანქანათსაშ. (შახტის მოწყობილობა), მინის ტარის, აგურის, სკვები პროდუქტების და სხვა ქ-ნები. კამენსკის თეატი. საღამოს ქიმ.-მექან. ტექნიკუმი, პედსასწავლებელი. ქალაქი დაარსდა 1686.

კამერა (გვიანდ. ლათ. camera < ბერძნ. kamara — კამარა, კამარიანი ოთახი), 1. სპეციალური დანიშნულების სათავსი: შესანახი კ., საპატიმრო კ. (საკანი). 2. ხელსაწყოს, აპარატის დახურული სათავსი (ფოტოკამერა, კინოკამერა). 3. სამთო საქმეში, შედარებით მცირე სიგრძისა და მნიშვნელოვანი განივი კვეთის გვირაბი, რ-ის ზომებს, მდებარეობას, გაყვანისა და ექსპლუატაციის თავისებურებებს მისი დანიშნულება განსაზღვრავს.

კამერალური აღწერა საქართველოში, XIX ს. დამდეგიდან რუსეთის ხელისუფლება შეუდგა საქართველოს ფისკალურ-ეკონომიკურ შესწავლას. ამ მიზნით ჩატარდა კ. ა. 1803, 1816—18, 1821—24, 1831—32, 1842—44 და სხვ. წლებში. ამ აღწერებში მოცემულია კომლები და მათი სოც.-ეკონ. მდგომარეობა. თითოეული კომლის სულობრივი შემადგენლობა, ეროვნება, მათ მფლობელობაში მყოფი სახელმწ., საბატონო ან საეკლ. სახ-

ნაწილაკი (ანტინაწილაკი)	სპინი s	მუხტი (e) Q	უცნაურობა S	მასა ($m_{ეგვივ}$) m	სიცოცხლის ხანგრძლივობა (წმ)	დაშლის ძირითადი არხები
K^+ (K^-)	0	+1(−1)	+1(−1)	493,8	$1{,}24\cdot10^{-8}$	$\mu\nu_\mu$, 2π, 3π, $\pi e\nu_e$, $\pi\mu\nu_\mu$
$\tilde{K}^0$(K^0)	0	0	+1(−1)	497,8 $m_{K_l} - m_{K_s} \sim 10^{-5}$ *ეV*	[K_s^0]$0{,}86\cdot10^{-10}$	2π, $\pi e\nu_e$, $\pi\mu\nu_\mu$
					[K_l^0]$5{,}17\cdot10^{-8}$	$\pi e\nu_e$, $\pi\mu\nu_\mu$, 3π

ნავი მიწების ფართობი, საკუთარი ნასყიდი მიწის ფართობი, მარცვლეულისა და პირუტყვის რაოდენობა, თითოეული კომლის წამყვანი საქმიანობა. მაგრამ ყველა აღწერის ცნობები ერთი პრინციპით არ არის შედგენილი. ზოგჯერ აღნიშნულია მხოლოდ კომლის რიცხობრივი შემადგენლობა, ეროვნება და ძირითადი საქმიანობა, გაპარულია მრავალი უხეში შეცდომა, გამოტოვებულია გლეხთა კომლები და სხვ. აღნიშნული ნაკლის მიუხედავად ეს აღწერები მნიშვნელოვანი წყაროა საქართვ. მწარმოებელი მოსახლეობის სოც.-ეკონ. ყოფის დასადგენად.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ა., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XXს., ტ. 1. თბ., 1949; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის». 1963, ტ. 12—13. *ე. ორჯონიკიძე.*

კამერლინგ-ონესი (Kamerlingh Onnes) ჰეიკე (21. IX. 1853, გრონინგენი,— 21. II. 1926, ლეიდენი), ნიდერლანდელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ფილოს. მეცნ.დოქტორი (1879). ლეიდენის უნ-ტის პროფესორი (1882—1924). მან პირველმა მიიღო აბსოლ. ნულის მახლობელი ტემპ-რები და 1908 გაათხევადა ჰელიუმი. 1911 ვერცხლისწყლის ელექტრული წინაღობის შესწავლისას აღმოაჩინა, რომ 4,1K ტემპ-რაზე წინაღობა ქრება (იხ. *ზეგამტარობა*). მისი შრომები ეხება თერმოდინამიკას, მაგნეტოოპტიკას, რადიოაქტიურობას. ნობელის პრემია (1913).

ლიტ.: К е е з о м В., Гелий, пер. с англ., М., 1949.

კამერონი (Cameron) ჩარლზ (1730-იანი წლები, შოტლანდია, — 1812, პეტერბურგი), რუსი არქიტექტორი, *კლასიციზმის* წარმომადგენელი. წარმოშობით შოტლანდიელი. განათლება მიიღო საფრანგეთსა და იტალიაში. 1779-იდან იყო პეტერბურგში ეკატერინე II-ის კარის, ხოლო 1802—05 — საადმირალოს კოლეგიის მთავარი არქიტექტორი. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ნაგებობათა კომპლექსი ცარსკოე-სელოში (ახლანდ. ქ. პუშკინი), პავილიონი „აქატის ოთახები" (1780—85), „დაკიდებული ბაღი" (1783—86) და „კამერონის გალერეა" (1783—86, პანდუსი — 1793). ააგო სასახლე და საპარკო პავილიონები (1780—1801) პავლოვსკში და სხვ. (დაინგრა დიდი სამამულო ომის დროს, აღადგინეს 1945—69). ქ-ის აგებულია აგრეთვე რაზუმოვსკის სასახლე (1799—1803) ბატურინში (უკრაინა).

ლიტ.: Т а л е н о р о в с к и й В. Н., Чарльз Камерон, М., 1939.

კამერტონი (გერმ. Kammerton), ბგერის წყარო; მოღუნული და შუა ნაწილში დამაგრებული ლითონის ღერო, რ-ის ბოლოებს შეუძლია თავისუფლად რხევა. ქ-ს ხმარობენ მუს. საკრავების ასაწყობად. მომღერლები და გუნდის დირიჟორები იყენებენ c^2 ტონის ქ-ს. არსებობს აგრეთვე ქრომატული ქ., რ-ის მორავტვირთებიანი შტოები სხვადასხვა სიხშირით ირხევა (რხევათა სიხშირეს განაპირობებს ტვირთების ადგილმდებარეობა). 1858 პარიზის მეცნ. აკადემიამ შემოიტანა ე. წ. ნორმალური ქ., მისი სიხშირე $a^1=435$ *ჰც*. ეს სიხშირე მიღებული იყო ვენის საერთაშ. კონფერენციაზე (1885), როგორც ბგერის სიმაღლის ეტალონი. სსრკ-ში 1936 წ. 1 იანვრიდან მიღებულია სიხშირის სტანდარტი $a^1=440$ *ჰც*.

კამერული თეატრი, დრამატული თეატრი მოსკოვში. გაიხსნა 1914. დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ა. *ტაიროვი*. თეატრი ჩაისახა კ. მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში შექმნილ „თავისუფალ თეატრში" (1913). ქ. თ-ის შემოქმედებითი პროგრამა უპირისპირდებოდა იმ დროს სცენაზე დამკვიდრებულ ნატურალიზმსა და ე. წ. „პირობითობას". ითვლებოდა ტრაგედიის თეატრად. ამკვიდრებდა სინთეზურ თეატრ. ხელოვნებას. წამყვანი მსახიობები იყვნენ ა. *კოონენი*, ნ. *წერეთელი* (1916—28) და სხვ. ქ. თ-ის მიერ დადგმული ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია" (1933, კომისარი — ა. კოონენი) მიჩნეულია საბჭ. რევ.-ჰეროიკული სტილის კლასიკურ სპექტაკლად. მნიშვნელოვანი სპექტაკლები იყო: „ფამირა კიფარედი" (ანენსკი, 1916), „ფედრა" (რასინი, 1922), „ჟიროფლე-ჟიროფლია" (ლეკოკი, 1922), „მადამ ბოვარი" (ფლობერის მიხედვით, 1940), „მოხუცი" (გორკი, 1946) და სხვ. 1950 თეატრი დაიხურა. მსახიობთა ერთი ჯგუფი ჩაირიცხა მოსკ. ა. პუშკინის სახ. დრამ. თეატრში.

ლიტ.: Г о л о в а ш е н к о Ю., Режиссерское искусство Таирова, М., 1970; Л у н а ч а р с к и й А. В., О театре и драматургии, т. 1, М., 1958; Политические отклики западной прессы на гастроли Московского Государственного Камерного театра, М., 1924; Т а и р о в А., Записки режиссера. Статьи. Беседы. Речи. Письма, М., 1970.

კამერული მუსიკა, მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკური ნაირსახეობა. განკუთვნილი იყო პატარა შენობაში, ოჯახურ გარემოში შესასრულებლად (აქედან წარმოდგება სახელწოდებაც). ქ. მ. იწერება მცირე საკრავიერი შემადგენლობისათვის (თეატრალური, სიმფონიური და საკონცერტო მუსიკისაგან განსხვავებით). ახასიათებს გამომსახველობითი საშუალებების ეკონომია და დეტალიზაცია, ადამიანის სულიერი მდგომარეობის უფაქიზესი გრადაციებისა და ლირიკული ემოციების გადმოცემის დიდი უნარი. ქ. მ. დასაბამს შუა საუკუნეებიდან იღებს. XVI ს. დასასრულამდე ეს სახელწ. მხოლოდ ვოკალური ჟანრების მიმართ იხმარებოდა, XVII ს-იდან კი გავრცელდა საკრავიერ მუსიკაზეც. XVI—XVII სს-ში ტერმინით „ქ. მ." აღნიშნავდნენ საერო მუსიკას. კამერული საკრავიერი ანსამბლის თანამედროვე სახეები — სონატა, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და ა. შ. — ჩამოყალიბდა ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენლების ი. ჰაიდნის, ვ. მოცარტის, ლ. ბეთჰოვენის შემოქმედებაში. მას ხარკი გადაუხადეს როგორც რომანტიკოსებმა (შუბერტი, მენდელსონი, შუმანი), ისე მომდევნო თაობის კომპოზიტორებმა (ბრამსი, დვორჟაკი და სხვ.). მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა რუსი კომპოზიტორების (ჩაიკოვსკის, ბოროდინის, გლაზუნოვის და სხვ.) კამერული ანსამბლები, რ-თა ტრადიციებმაც გაგრძელება პოვა საბჭ. კომპოზიტორთა შემოქმედებაში (მიასკოვსკი, პროკოფიევი, შოსტაკოვიჩი და სხვ.). XVIII ს. დასასრ. და განსაკუთრებით XIX ს-ში მუს. ხელოვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ვოკალურმა ქ. მ-მ. ფ. შუბერტის, რ. შუმანის და სხვ. რომანტიკოს კომპოზიტორთა შემოქმედებაში ჩამოყალიბდა მხატვრული სიმღერის ან. ჟანრი. რუსეთში განვითარდა სიმღერისა და რომანსის ჟანრი (გლინკა, დარგომიჟსკი, ჩაიკოვსკი, ბოროდინი, მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი, რახმანინოვი და სხვ.). ამავე დროს დიდი მნიშვნელობა შეიძინა საკრავიერი მინიატიურების (სახასიათო პიესები, საცეკვაო ფორმის პიესები და სხვ.) ჟანრმა. XIX ს-ში დაიწყო ქ. მ-ის საჯარო კონცერტების გამართვა. ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი კამერული ანსამბლები. ქ. მ-ის სხვადასხვა ჟანრი ფართოდ არის წარმოდგენილი ქართ. მუსიკაში.

კამერული ღუმელი, ისეთ სამრეწველო ღუმელთა ჯგუფის განზოგადებული სახელწოდება, რ-ებშიც ნაკეთობანი გაზურების მთელი პერიოდის განმავლობაში ღუმლის მიმართ უძრავნი არიან. ქ. ღ-ს იყენებენ გლინვისა და ჭედვის წინ ლითონის ნამზადების გასახურებლად, ლითონისა და მინის ნაკეთობათა თერმული დამუშავებისათვის, კერამ. და მომინანქრებულ ნაკეთობათა გამოსაწვავად. ქ. ღ. სხვადასხვა კონსტრუქციისაა (ვერტ. ღუმელი, თალფაქისებრი ღუმელი, სახურებელი ჭა, გამოსაწვავქვედიანი ღუმელი და სხვ.). საერთოდ ქ. ღ-ს ახურებენ აირით ან თხევადი სათბობით, თერმულ ქ. ღ-ს კი, რ-იც ზუსტი შედგენილობის აირის ატმოსფეროში მუშაობს, — ელექტრული დენით. უფრო ფართოდაა გავრცელებული უძრავ-ქვედიანი ქ. ღ-ები (ნახ.). მათ მუშა სივრცეს პარალელეპიპედის ფორმა აქვს (სიგრძე 0,6—2 *მ*, სიგანე 0,6—1,5 *მ*, სიმაღლე 1 *მ*). ღუმლის მწარმოებლურობაა 70—600 *კგ/სთ*, სითბოს ხარჯი — 5000—7000 *კჯ/კგ*.

კამერუნი, ვულკანური მასივი აფრიკაში, გვინეის ყურის ნაპირებთან. სიმაღლე 4070 *მ*. წარმოადგენს ტრაქიბაზალტურ გუმბათისებრ სტრატოვულკანს. აქვს დამრეცი კალთები და მრავალი გვერდითი კონუსი. მთავარი მწვ. ფაკო მოქმედი ვულკანია (უკანასკნელი ამოფრქვევა მოხდა 1959). ნალექები მასივის დას. და სამხრ.-დას. კალთებზე დაახლ. 10000 *მმ* წელიწადში (აფრ. მაქსიმუმი). მასივის ქვედა სარტყელში ნოტიო ეკვატორული ტყეებია, ზემოთ — მთის ტყეები, უფრო მაღლა — მთის მდელოები.

კამერუნი (Cameroun), კ ა მ ე რ უ ნ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (République Unie du Cameroun), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ფართ. 475,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 7,7 მლნ. კაცი (1977). დედაქალაქი — იაუნდე (178 ათ. მკს., 1976). ოფიც. ენებია ფრანგული და ინგლისური. ეროვნ. დღესასწაულია 20 მაისი — ქ-ის გაერთიანებული რესპ. გამოცხადების დღე (1972). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია აფრ. ფრანკი. ადმინისტრაციულად ქ. იყოფა 7 პროვინციად.

ქ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1972 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ეროვნ. კრებას (ერთპალატიან პარლამენტს). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, მასვე ეკუთვნის აღმასრ. ხელისუფლებაც.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ქ-ის დას. ნაწილი, ბიაფრის ყურის (ატლანტის ოკ.) გასწვრივ უჭირავს დაახლ. 150 *კმ* სიგანის სანაპირო დაბლობს, რ-ზედაც განცალკევებით დგას ვულკ. მასივი კამერუნი (4070 *მ*), ქვეყნის სამხრ. და ცენტრ. ნაწილი ზეგანია, რ-ის საშ. სიმაღლე სამხრ. ნაწილში 600—900 *მ*-მდეა, ცენტრ. ნაწილში (ადამავის მთიანეთი) — 1000—1500 *მ*-მდე. ქვეყნის განაპირა ჩრდილოეთში ბრტყელი ალუვიური ვაკეა. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია რკინის მადანი, ოქრო, ბოქსიტები, ბუნებრივი აირი. ჰავა ქვეყნის სამხრ. ნაწილში ეკვატორულია, ნოტიო, დანარჩენ რ-ნებში — ეკვატორული მუსონური. საშ. თვიური ტემპ-რები 22°C-იდან (სამხრ-ით) 33°C-მდე (ჩრდ-ით). ნალექები ჩრდ-ით 300—500 *მმ* წელიწადში, შიგა რ-ნებში — 1500—2000 *მმ*, სანაპიროზე — 3000 *მმ*-ზე მეტი, კამერუნის მასივზე — 10000 *მმ*-მდე.

მდინარეთა ქსელი ხშირია და წყალუხვი. ბიაფრის ყურეს ერთვის მდ-ები სანაგა, ნონგი, ნტემი და სხვ., ადამავის მთიანეთში აქვს სათავე მდ. ნიგერის მთავარ შენაკადს ბენუეს. ჩადის ტბის აუზს განეკუთვნება მდ-ები ლოგონე და შარი.

პ. კამერლინგ-ონესი.



კამერტონი.



კამერუნის გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.



უძრავქვედიანი კამერული ღუმელი: 1—მუშა სივრცე; 2—ნაკეთობების ჩასატვირთი და გამოსაღები ფანჯარა; 3—სანთურა; 4—რეკუპერატორი.

კამერუნი

დიდი ქალაქები

იაუნდე
ბაფუსამი
ფუმბანი
მარუა
კუმბა
ვიქტორია
გარუა
ტიკო

მთავარი საექსპორტო კულტურები
(ათ. ტონა. 1977/78)

კაკაო	105
ყავა	89
ბამბა (ნედლი)	40
ბანანი	82,5

შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ

ფეტვი და სორგო	390
სიმინდი	355
ბრინჯი	20
მანიოკი	800
შაქრის ლერწამი	298

მეცხოველეობა
(მლნ. სული. 1976)

მსხვილი რქოსანი საქონელი	3
ცხვარი და თხა	3,6
ფრინველი	10 მლნ. ფრთა.


კამერუნი
ბუეა
ბაფუსამი
ბამენდა
ფუმბანი
ბამბა
ბანანი
ბერტუა
ბატური
ბერტუაი
ბაფუსამბა
ნკონგსამბა
ნგოლე
ბოკოლა
ბოკოლა
ბაფუ
ბაფუ
ბაფუ

წარმოება: მეთუნეობა, ფეიქრობა, ტყავის დამუშავება, ხეს და ძვალზე კვეთა, საიუველირო საქმე.

საავტ. გზების სიგრძეა დაახლ. 30 ათ. *კმ*, რკინიგზისა — 1168 *კმ* (1977). მთავარი ნავსადგურებია დუალა, კრიბი, ვიქტორია, ტიკო. სანაოსნოა მხოლოდ მდ. ბენუე. სამდ. ნავსადგურია გარუა, დიდი აეროდრომებია დუალასა და იაუნდეში.

1977 კ-ის ექსპორტმა შეადგინა 172,9 მლრდ. აფრ. ფრანკი, იმპორტმა — 192,4 მლრდ. გააქვთ კაკაო, ყავა, ალუმინი, ხეტყე, ბამბა, ბანანი, პალმის ნაყოფის ზეთი და გული, კაუჩუკი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, მზა ნაწარმი, ნახევარფაბრიკატები, სურსათი, მინერ. ნედლეული. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია საფრანგეთი, ნიდერლანდი, გფრ, იტალია, აშშ, იაპონია.

განათლება. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დას. და აღმ. კ. შესაბამისად ინგლ. და საფრ. მმართველობას ექვემდებარებოდა; ამიტომ ჩამოყალიბდა სახ. განათლების 2 სისტემაც. აღმ. კ-ის განათლების სისტემა ფრანგულის მსგავსია და სწავლება მიმდინარეობს ფრანგ. ენაზე. დაწყ. 6-წლიანი სკოლა შედგება სამი 2-წლიანი ციკლისაგან. საშ. სასწავლებელში შესასვლელად 11—12 წლის ასაკის მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს. საშ. განათლებას იღებენ ზოგადსაგანმან. და ტექ. ლიცეუმებში (7-წლიანი სწავლებით), რ-თა დამთავრების შემდეგ ეძლევათ ბაკალავრის ხარისხი და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. არასრულ საშ. განათლებას იძლევა 4-წლიანი ზოგადსაგანმან. და ტექ. კოლეჯები. დას. კ-ში დაწყ. სკოლა 8-წლიანია (4+4), საშ. სკოლა 5-წლიანი. სწავლება მიმდინარეობს ინგლ. ენაზე. ფრანგ. და ინგლ. ენები სავალდებულოა ქვეყნის ყველა სკოლაში. 1976 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 1 მლნ-მდე მოსწავლე. საშ. სასწ. დაწესებულებებში — 70 ათ-ზე მეტი. სკოლების დიდი ნაწილი ეკუთვნის მისიონერებს. ჩამორჩენილია პროფტექ. მომზადების საქმე, პროფტექ. სასწავლებლებში 1976 სწავლობდა 16 ათ-ზე მეტი მოსწავლე. ერთადერთი სასწავლებელი, რ-იც იძლევა საშ. ტექ. განათლებას — დუალის ტექ. ლიცეუმია. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს ნორმალური სკოლა და პედ. კურსები (1976 სწავლობდა 3 ათ-ზე მეტი მოსწავლე). ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებელია ქ. იაუნდის უნ-ტი (1962), მასთან ჩამოყალიბებულია რამდენიმე სპეც. სასწავლო დაწესებულება. არის აგრეთვე იაუნდის უმაღლესი ნორმალური სკოლა (ამზადებს საშ. სკოლის მასწავლებლებს), უმაღლესი სას.-სამ. სკოლა, ადმინისტრაციის ეროვნ. სკოლა და სხვ. 1976 უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 3 ათ-მდე სტუდენტი. სსრ კავშირის მიერ მიცემული კრედიტით კ-ში აშენდა ეროვნ. სას.-სამ. კოლეჯი და სატყეო ტექ. სკოლა.

სამეცნ.-კვლ. მუშაობის ცენტრია იაუნდის უნ-ტი. 1962 დაარსდა სამეცნ. და გამოყენებითი კვლევის საბჭო, 1972 — კ-ის მეცნ. განვითარების ხელისშემწყობი ასოციაცია და სხვ.

იაუნდეში არის ეროვნ. ბ-კა (10 ათ. ტ.), გამოდის რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი ინგლ. და ფრანგ. ენებზე. საინფორმაციო სააგენტოს ფუნქციები გადავიდა სამთავრობო და კომერც. ხასიათის სახელმწ. დაწესებულების „სოსიეტე დე პრეს დ' ედისიონ დიუ კამერუნის" ხელში.

ლიტერატურა. კ-ის ხალხთა კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხ. ზეპირსიტყვიერებას. XX ს. დასაწყისში ბამუმის სახელმწიფოს მმართველმა სულთან ნჯოიამ შექმნა ბამუმის ხალხთა ორიგინ. დამწერლობა. მანვე შეადგინა წიგნი, რ-შიც შეავიდა ისტ. გადმოცემები ბამუმის სახელმწიფოს შექმნის, მისი პირველი მმართველების, სასამართლო წესების შესახებ. ეს დამწერლობა აღარ განვითარებულა. თანამედროვე ლიტ-რა იქმნება 20-იანი წლებიდან ფრანგ. ენაზე (მწერალი ი. მუმე-ეტია, 1889—1939), უფრო ნაკლებად — ინგლ. ენაზე (დას. კ-ის მწერლები). 30-იანი წლებიდან გამოჩნდა ადგილ. ენებზე (ბულუ, დუალა) შექმნილი თითო-ოროლა ფოლკლორული ხასიათის ნაწარმოები. კ-ის პოეზია აღმოცენდა ხალხ. სასიმღერო ჟანრის ტრადიციებზე. აღსანიშნავია პოეტების ე. ე. იონდოს (დ. 1930), ფ. სენგა-კუოს შემოქმედება. მხატვრული პროზა ჩაისახა 50-იანი წწ. შუა ხანებში (მწერლების მონგო ბეტის, დ. 1932; ფ. ოიონოს, დ. 1929; ბ. მატიპის, დ. 1932 რომანები). 60-იანი წწ. ძირითადი ჟანრია სოც. ყოფითი რომანი (მწერლები რ. ფილომბე, დ. 1930; ფ. ბებეი, დ. 1929; ფ. ბ. მ. ევემბე).

ხელოვნება. კ-ში გავრცელებულია გეგმით მრგვალი ან სწორკუთხა, კონუსისებრი სახურავით გადახურული ხის კარკასული ქოხები (თიხა, ქვა, ხე და ბამბუკი). გვხვდება აგრეთვე ორიგინ., ერთიანად თიხისგან გამოძერწილი 6-8 *მ* სიმაღლის, კონუსისებრი საცხოვრ. (მუსგუს ხალხი, მიეკუთვნება მანდარის ჯგუფს), რ-იც გარედან დასერილია სამკუთხედი წყალსაწვეთი ღარებით, შიგნიდან შემკულია პოლიქრომული ამოკაწრული გეომ. ორნამენტით.

XIX ს. დასასრ. კ-ში აღმოცენდა დიდი ქ-ები (იაუნდე, დუალა), რ-ებიც განაშენიანდა არაბ. და ევრ. ეკლექტიკური შენობებით. 1950—60-იან წლებში შენდება თანამედროვე ხასიათის ნაგებობანი (მ. შ. ადგილ. არქიტექტორების ნგოდეს, კოლინზისა და სხვ. პროექტებით).

კ-ის ხალხებში გავრცელებულია ხეზე კვეთა, რ-ითაც ამკობენ საოჯახო ნივთებს. ხისაგან კვეთენ სვეტისებრ საკულტო სტატუებს, დებავენ კაშკაშა ფერებით და ამკობენ ბრჭყვიალა ნიჟარებით, სამაჯურებითა და სხვ. აკეთებენ ტყავგადაკრულ ხის ნიღბებს. განვითარებულია ხელოსნობის სხვადასხვა დარგი — თიხისა და ბრინჯაოსაგან ჭურჭლისა და სხვა ნივთების დამზადება, ქარგვა. ეროვნ. სამხატვრო სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით ფერმწერებსა და მოქანდაკეებს აბოსოლოს, კენფაკს, მპანდოს.

ლიტ.: Гальперина Е. Л., Литературные проблемы в странах Африки, კრ.: Современная литература за рубежом, М., 1962; Мельников И., Корочанцев В., Камерун, М., 1972; Новейшая история Африки, М., 1968; Ольдерогге Д., Искусство народов Западной Африки в музеях СССР, Л.— М., 1958; Орлова А. С., Уровень общественного развития народов Камеруна к началу европейской колонизации Африки, «Советская этнография», 1959, № 5; Потехина Г. И., Очерки современной литературы Западной Африки, М., 1968; Le Vine V.Th., Le Cameroun, t. 1—2, P., 1970.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 336—337.

კამერჰერი (გერმ. Kammerherr), წოდებულება სამეფო კარზე ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში. რუსეთში შემოიღო ეკატერინე II-მ; თავდაპირველად კ. იყო სამეფო კარის თანამდებობის პირი, განაგებდა სასახლის მმართველობის ამა თუ იმ დარგს. 1809-იდან გაუქმდა როგორც თანამდებობა და საპატიო წოდებად იქცა.

კამეჩები, მცოხნელი ძუძუმწოვრები წყვილჩლიქოსანთა რიგის *ძროხისებრთა* ოჯახისა. კ-ს აქვთ მასიური სხეული, მოკლე კისერი, დაბალი და მძლავრი ფეხები, განიერი თავი, დინგის წვეროს ზედა ტიტველი ნაწილი, 4 ძუძუ, გრძელი კუდი გრძელბალნიანი ფუნჯით ბოლოვდება. გავრცელებული არიან სამხრ. აზიასა და სამხრ. აფრიკაში. ჯგუფურად ცხოვრობენ. მაკეობა 12 თვემდე გრძელდება. ცნობილია კ-ის 4 სახეობა: 1. ინდური კამეჩი (Bubalus arnee). გავრცელებულია ინდოეთში, ინდოჩინეთში, ცეილონსა და კალიმანტანზე; 2. ფილიპინური კამეჩი (B. mindorensis). გვხვდება კ. მინდოროზე (ფილიპინის კ.). სრული მოსპობა ემუქრება. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ 100-მდე ეგზემპლარი. 3. *ანოა* გვხვდება კ. სულაველზე. 4. აფრიკული ანუ კაფრული კამეჩი (Sincerus caffer) გავრცელებულია აფრიკაში (საჰარის სამხრეთით). ცხოვრობს სავანებში. სპორტ. ნადირობის ობიექტია. ბევრგან უკვე მოისპო.

ადამიანმა უძველესი დროიდან მოაშინაურა ინდური კ., რ-იც გავრცელდა სამხრ. აზიაში, აფრიკასა და სამხრ. ევროპაში. სსრკ-ში მოშინაურებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში და ჩრდ. კავკასიაში. მსხვილი, ღონიერი, დიდტანიანი ცხოველია. სიმაღლე მინდაოში 130 *სმ*. ცოცხალი მასა ფურკამეჩისა 450 *კგ*, ზოგჯერ 600 *კგ* აღწევს, კურკამეჩისა 700 *კგ*. კ-ს მეურნეობაში 20—30 წლამდე იყენებენ სარძეო ცხოველად, ზოგჯერ მუშადაც. ფურკამეჩის ნაყოფიერება 100%-ს აღწევს. კ-ს უმთავრესად აშენებენ ცხელ კლიმატურ პირობებში, მდ. ების, არხებისა და სხვ. წყალსატევების მახლობლად. იკვებება უხეში მცენარეული საკვებით (ისლი, ლაქაში, ლერწამი), კ-ის ძირითადი პროდუქციაა რძე, ხორცი, ტყავი (იხ. *კავკასიური კამეჩი*). კ. კარგად უძლებს დაავადებებს — ჰემოსპორიდიოზს, ჯილეხს, თურქულს, ბრუცელოზსა და სხვ.

კაიერუნი. ხის ნიღაბი. ხალხი ეკოი.



შინაური კამეჩი.

აფრიკული კამეჩი.

ინდური კამეჩი.

ანოა.

ა. კამიუ.

კამინ.

ლიტ: Агабейли А. А., Буйволы, М., 1967.

კამიზარები (ფრანგ. camisards<ლანგედოკური დიალექტ. camiso—პერანგი), გლეხურ-პლებეური ანტიფეოდალური აჯანყების (1702—05) მონაწილენი ლანგედოკის პროვინციაში (სამხრ. საფრანგეთი). აჯანყების მიზეზი იყო *ნანტის ედიქტის* (1598) გაუქმების შემდეგ კალვინისტების დევნა-შევიწროება და *ესპანური მემკვიდრეობისათვის* ომის გამო გადასახადების ზრდა. აჯანყებულები იკავებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, წვავდნენ კათოლ. ეკლესიებს, ციხე-კოშკებს; მოითხოვდნენ რწმენის თავისუფლებასა და გადასახადების გაუქმებას. მათი იდეური მრწამსი იყო *კალვინიზმი*, რ-მაც რეგ. გლეხურ-პლებეური მწვალებლობის სახე მიიღო. 1703—04 აჯანყება სხვა პროვინციებსაც მოედო. პაპმა კლიმენტ XI-მ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა კ-ის წინააღმდეგ. 1703 კ-მა დაამარცხეს მეფის არმია ლანგედოკში (მარშალი მონრეველი). ამან აიძულა საფრ. მთავრობა ხელი მოწერა შეთანხმებისათვის, რ-ითაც ლანგედოკის კალვინისტებს ღვთისმსახურების თავისუფლებას პირდებოდნენ. აჯანყების ჩახშობა მხოლოდ 1705 გაზაფხულზე მოხერხდა.

კამიკაძე (იაპ., სიტყვასიტყვით — ღმერთების ქარი), სასიკვდილოდ გამიზნული მფრინავი იაპონიის შეიარაღებულ ძალებში II მსოფლიო ომის (1939—45) დროს. კ. ერთჯერადი მოქმედების თვითმფრინავით ებრძოდა მოწინააღმდეგის ხომალდებს. 1945 იაპ. შეიარაღებულ ძალებში იყო 5 ათ-მდე ერთჯერადი მოქმედების თვითმფრინავი. მას ჰქონდა პატარა რეაქტიული ძრავა და მოქმედების შეზღუდული რადიუსი. თვითმფრინავის თავში მოთავსებული იყო 1 ტ-მდე ფეთქებადი ნივთიერების მუხტი. კ-ის მიერ პილოტირებული თვითმფრინავი შეიჭრებოდა მიზანში და ფეთქდებოდა. წყნარ ოკეანეში საომარი მოქმედების დროს 1944—45 დაიღუპა დაახლ. 2500-ზე მეტი კ.

კამინგზი (Cummings) ედუარდ ესტლინ (14. X. 1894, კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტ., — 3. IX. 1962, ნორთ-კანუეი, ნიუჰემფშირის შტ.), ამერიკელი პოეტი. I მსოფლიო ომის საშინელებანი ასახა რომანში „საზარელი ოთახი" (1922). ცნობილია კ-ის ლექსების კრებულები: „ტიტები და საკვამლეები" (1923), „XII ლექსი" (1925), „არის 5" (1926), „Viva" (1931); „არავითარი მადლობა" (1935), „ლექსები" (1923—54). მის ლექსში გვხვდება ტრად. ვერსიფიკაციაც, მაგრამ წამყვანია ექსპერ. პოეტური ფორმა, „ცნობიერების ნაკადის" ტექნიკა, ქვეტექსტები, რთული სიმბოლოები, ლექსის გრაფ. სახის, გრამატ. ნორმების, პუნქტუაციის დარღვევა. კ. ითვლება იუმორისა და სატირის ოსტატად. 1955 მიენიჭა „ეროვნული წიგნის პრემია".

ლიტ.: История американской литературы, ч. 2, М., 1971.

კამის საავტომობილო ქარხანა (კამაზ), სსრკ საავტომობილო მრეწველობის უმსხვილესი საწარმო, სატვირთო ავტომობილების დასამზადებელი ქარხნების კომპლექსი ქ. ნაბერეჟნიე-ჩელნიში (თათართა ასსრ). მშენებლობა 1970 დაიწყო. ქ-ნის წლიური სიმძლავრეა 150 ათ. ავტომობილი და 250 ათ. ძრავა. კომპლექსის შემადგენლობაშია სამსხმელო, სამჭედლო, ჩარჩოსაწნები, დიზელის, საავტ. და სარემონტო-საიარაღო ქ-ნები. ტექნიკის და ტექნოლ., კომპლ. მექანიზაციის და ავტომატიზაციის დონით კ. ს. ძ-ს წამყვანი ადგილი უჭირავს სსრკ-ის საავტ. მრეწველობაში ვოლგის საავტ. ქ-ნასთან ერთად. ქ-ნაში დანერგილია წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემა. კამის კომპლექსის ქ-ნების მშენებლობასთან ერთად აშენდა ახ. ქალაქი.

კამის წყალსაცავი, პერმის წყალსაცავი, წყალსაცავი, რ-იც წარმოქმნა 1954—56 ქ. პერმთან აგებულმა კამის ჰიდროკვანძის კაშხალმა. ფართ. 1915 *კმ*², მოც. 12,2 *კმ*³, სიგრძე მდ. კამის კალაპოტის გასწვრივ 272 *კმ*, მაქს. სიგანე 30 *კმ*-მდე, საშ. სიღრმე 6,3 *მ*, მაქს. — 30 *მ*. კ. წ. შეიქმნა ენერგეტიკის, წყლის ტრანსპორტ-ისა და წყალმომარაგების მიზნით. თევზჭერა. კ. წ-ის ნაპირებზეა ქ-ები: პერმი, დობრიანკა, ჩერმოზი, ბერეზნიკი, უსოლიე, სოლიკამსკი.

კამიუ (Camus) ალბერ (7. XI. 1913, მონდოვი, ალჟირი, — 4. I. 1960, ვილბლევენი, იონის დეპარტ.), ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1957). დაიბადა მუშის ოჯახში. სწავლობდა ორანის (ალჟირი) უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტზე. 30-იან წლებში თეატრ. მოღვაწეობას ეწეოდა. თანამშრომლობდა მემარცხენე პრესაში. ალჟ. ულიმლამო ცხოვრება, ღარიბთა ყოფის მართალი სურათები წარმოადგინა ლირ. ესეებში „წაღმა და უკუღმა" (1937) და „ქორწილი" (1939). 1938-იდან საფრანგეთში ცხოვრობდა. II მსოფლიო ომის დროს აქტიურად მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში, შევიდა არალეგალურ გაზეთ „კომბას" („Combat") ჯგუფში; 1944—47 რედაქტორობდა ამ გაზეთს. დაწერა ფილოს.-პუბლიც. „წერილები გერმანელ მეგობარს" (1943—44). დრამებში „კალიგულა" (1944), „გაუგებრობა" (1944) და ფილოს. ესეიში „სისიფეს მითი" (1942) გამოიკვეთა კ-ს მსოფლაღქმა: ადამიანი გაუცხოებულია, მისი ყოფნა აბსურდია; სამყაროს შეცნობა შეუძლებელია, მასში შემთხვევითობა ბატონობს; ადამიანის გონებას არ ძალუძს ჩაწვდეს ქაოსურ სინამდვილეს. ეს კონცეფცია კიდევ უფრო გაღრმავდა მოთხრობაში „უცხო" (1942) და ფილოს. რომანში „ჭირი" (1947), თუმცა ამ უკანასკნელში იგრძნობა წინააღმდეგობის პერიოდის ანარეკლიც, წარმოდგენილია ოკუპირებული საფრ. ალეგორიული სურათი. 50-იან წლებში კ-ს შემოქმედებაში გამძაფრდა ეგზისტენციალისტური ფილოს. ტენდენციები (ფილოს. ესეი „მეამბოხე კაცი", 1951). კ-ს იდეური ევოლუციისთვის ნიშანდობლივია აგრეთვე დრამა „სამართლიანნი" (1950), მოთხრობა „დაცემა" (1956), მოთხრობათა კრებ. „განდევნა და სამეფო" (1957) და სხვ.

თხზ.: Théâtre, récits, nouvelles, P., 1962; Essais, P., 1965; Избранное, [вступ. ст. С. Великовского], М., 1969; უცხო, «ხომლი», 1968, № 2.

ლიტ.: Евнина Е. М., Современный французский роман. 1940—1960, М., 1962; История французской литературы, т. 4, М., 1963. *მ. თუშმალიშვილი*.

კამიშინი, ქალაქი რსფსრ ვოლგოგრადის ოლქში, ვოლგოგრადის წყალსაცავის მარჯვ. ნაპირზე. ნავსადგური, დიდი ტვირთგადასაცლელი პუნქტი. რკინიგზის ხაზის ბალაშოვ—კ-ის ბოლო სადგური. 112 ათ. მცხ. (1979). ბამბეულის კომბინატი, მანქანათსაშ., საზეინკლო-სამონტაჟო ხელსაწყოების, მინის ტარის, ლაქ-საღებავების ქ-ნები, კვების მრეწვ. საწარმოები; საშენ მასალათა წარმოება. საღამოს საფეიერო და სოფ. მეურნ. მექანიზაციის ტექნიკუმები, სამედ. და მუს. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დრამ. თეატრი. დაარსდა 1667.

კამიშლო, სოფელი დმანისის რ-ნში (მუღანლოს სოფსაბჭო), დმანისის პლატოს სამხრ. ნაწილში. ზ. დ. 1460 *მ*, დმანისიდან 40 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 40 *კმ*. მუღანლოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

კამიშლოვი, ქალაქი რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. პიშმის (ობის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური სვერდლოვსკ—ტიუმენის ხაზზე. რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე საწარმოები, საიზოლაციო, საშენ მასალათა, ტყავის, ლითონდასამუშ. და საფეკავი ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა, მეფრინველეობის კომბინატი. სამედ. და პედ. სასწავლებლები. დაარსდა 1667.

კამო (სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის პარტ. ფსევდ.) [15 (27). V. 1882, გორი, — 14. VII. 1922, თბილისი], პროფესიონალი რევოლუციონერი. კომპარტიის წევრი 1901-იდან. დაიბადა ვაჭრის ოჯახში. 1901-იდან ავრცელებდა არალეგალურ ლიტ-რას თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და სხვ. ქ-ებში. იყო არალეგალური სტამბების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1903 ნოემბ. დააპატიმრეს, 1904 სექტ. ციხიდან გაიქცა. 1905 მონაწილეობდა მუშათა საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბებაში. 1905 დეკ-ში თბილისში სამხ. საწილებთან შეიარაღებული შეტაკების დროს მეთაურობდა მუშათა მებრძოლ რაზმს. დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში, საიდანაც მოახერხა გაქცევა. 1906 ჩავიდა პეტერბურგში. აქ პირველად შეხვდა ვ. ი. ლენინს და მისი დავალებით გაემგზავრა საზღვარგარეთ რუსეთში იარაღის შემოსატანად. ფულადი სახსრებით პარტიის უზრუნველსაყოფად 1905—07 რამდენჯერმე მოახდინა მეფის ხაზინის ექსპროპრიაცია. 1907 ნოემბ-ში ბერლინში დააპატიმრეს. ციხეში ყოფნისას კ. თავს სულით ავადმყოფად ასაღებდა, მაგრამ 1909 ბოლოს მაინც გადასცეს რუს. პოლიციას, ჩასვეს მეტეხის ციხეში. 1911 წ. 15 აგვ. კ. ციხის საავადმყოფოდან გაიქცა და პარიზში გაემგზავრა, სადაც ვ. ი. ლენინის დავალებით მოაგვარა რუსეთში პარტ. ლიტრის შემოტანის საქმე. 1912 რუსეთში დაბრუნდა. დააპატიმრეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, რაც 1913 ამნისტიით 20 წლის კატორღით შეუცვალეს. 1917 მარტში გაათავისუფლეს. 1919 ზაფხულში ლენინის დავალებით კ-მ მტრის ზურგში ჩამოაყალიბა პარტიზ. რაზმი, რ-იც იბრძოდა კურსკსა და ორიოლთან, შემდეგ კი გენ. დენიკინის ჯარების ზურგში სამხრ. ფრონტზე. ასტრახანის გავლით კ-მ მეთევზეთა ნავით ბაქოში ჩაიტანა იარაღი და ფული იატაკქვეშა პარტ. ორგანიზაციისა და ჩრდ. კავკასიის პარტიზანებისათვის. 1920 იანვ. თბილისში დააპატიმრეს და ქალაქიდან გაასახლეს. 1920 აპრ. მონაწილეობდა ბაქოში საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში. 1920 მაისიდან სწავლობდა მოსკ. სამხ. აკადემიაში. 1921 მუშაობდა საგარეო ვაჭრობის სისტემაში. 1922 თბილისში დაიღუპა — ველოსიპედით მიმავალი ავტომობილს შეეჯახა.

ლიტ.: ბიბინეიშვილი ბ., კამო, ტფ., 1935; იმნაიშვილი რ., კამო (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1955; Шаумян Л., Камо, [М., 1959].

კამო (1959-მდე ნორ-ბაიაზეთი), ქალაქი სომხ. სსრ-ში, მდ. გაკარაგეტის ნაპირზე. რკინიგზის სადგ. სევანიდან 39 *კმ*, ერევნიდან 90 *კმ*. კაბელის, ხელსაწყოთსაშენი, ავტოსარემონტო, ყველის, თევზსაშენი, მინერ. წყლის („სევანი") ქ-ნები, ტრიკოტაჟის, სამკერვალო, ავეჯის, ხალიჩების და ფეხსაცმლის ფ-კები. ინდუსტრ. და ზოოვეტ. საბჭ. მეურნეობა-ტექნიკუმები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დრამ. თეატრი. სახელი ეწოდა რევოლუციონერ-ბოლშევიკის *კამოს* პატივსაცემად.

კამოენსი, კამოენში (Camões) ლუიშ დი (XII. 1507 ან 1523, ან I. 1525, ლისაბონი, — 10. VI. 1580, იქვე), პორტუგალიელი პოეტი; პორტუგალიის აღორძინების უდიდესი წარმომადგენელი. დაიბადა გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. ვარაუდობენ, რომ 15—16 წლისას დაუწყია ლექსების წერა. გზა გაუკვლევია სამეფო კარისკენ, სადაც შემდეგ დიდებულთა რისხვა გამოუწვევია და სასახლიდან გაუძევებიათ. შორეულ ქვეყნებში 17 წლის უიღბლო ხეტიალისა და გაჭირვების შემდეგ,

1570 სამშობლოში დაბრუნებულა. ამ პერიოდისათვის მისმა შემოქმედებამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო. მის სონეტებსა და კანცონებში მომძლავრდა ბედისწერის თემა, გამოვლინდა გაორება და სულიერი რღვევის ნიშნები, რაც შემდეგ დამახასიათებელი გახდა რენესანსის დასასრულის მწერლებისთვის. რენესანსული ბრწყინვალე ლექსის, სამყაროს, ადამიანისადმი რწმენის ნათელი იდეალების მიღმა უკვე იგრძნობოდა შინაგანი შიში და ურწმუნოება, ტრაგიზმის, საწყაროს ქაოსურობის ყრუ შეგრძნება. კ. ხშირად სესხულობდა თემებსა და სახეებს ძვ. და ახ. აღთქმიდან, დავითის ფსალმუნებიდან. გამომსახველობითი და ლექსიკური გართულებების მიუხედავად, მისი უბრალო და გასაგები ენით დაწერილი პოეტური ნაწარმოებები ხალხ. ტრადიციას უახლოვდება, ფეოდ.-არისტოკრ. ღვლარჭნილ ლირიკას უპირისპირდება. მრავალპლანიანობა და სიუჟეტური ერთიანობა ახასიათებს კ-ის მთავარ ქმნილებას „ლუზიადებს" (გამოქვეყნდა 1572), რ-იც მსოფლიო მნიშვნელობის რენესანსულ ეპიკურ ძეგლად არდა მიჩნეული. ამ ნაწარმოებით კ-მა განიზრახა შეექმნა „ოდისეასა" და „ენეიდას" ბადალი ეროვნ. ჰეროიკული პოემა, რ-იც განადიდებდა პორტუგ. ლეგენდარული მეფის ლუზას შთამომავლებს და ასახავდა ვასკო და გამას მოგზაურობას. პოემის ცოცხალმა, მსუბუქმა ენამ განამტკიცა საერთო ეროვნ. ენის ნორმები და დიდი როლი შეასრულა რენესანსული რეალისტური მიმართულების ჩამოყალიბებაში. თუმცა პოემის სიუჟეტი მითოლ. ჩარჩოებშია მოქცეული, მას განუყოფელი კავშირი აქვს სინამდვილესთან და ეს გარემოება თხზულებას პოეტური დოკუმენტის სახეს აძლევს. მასში ბევრია ბიოგრ. ცნობაც. კ-ს ეკუთვნის აგრეთვე პიესები, რ-ებითაც ცდილობდა პორტუგ. თეატრში დაენერგა რენესანსული მეცნ.-ჰუმანისტური დრამა („ამფიტრიონის აუტო", 1587; „მეფე სელევკე", გამოქვეყნდა 1645; „ფილოდემო", გამოქვეყნდა 1587). საყურადღებოა, რომ კ. თავის პოემაში „ლუზიადები" ხშირად ახსენებს კოლხეთსა და იბერიას, პარალელებს ავლებს პორტუგალიის ისტორიასა და არგონავტების მითში მოთხრობილ ამბავს შორის; მესამე თავში ლაპარაკობს პომპეუსის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში. მეშვიდე თავში ევროპის ქრისტიან ხალხს მოუწოდებს დაიცვან ქართველი ერი ოსმალო და სპარსი დამპყრობლებისაგან. მესამე თავში კი მედეას „იასონის გრძნეულ მეუღლეს" უწოდებს.

თხზ.: Obras completas, v. 1—5, Lisboa, 1946—54; Сонеты, М., 1964.

ლიტ.: Braga T., Camões. A obra lírica e épica, Porto, 1911. *ბ. ტიტვინიძე.*

კამოზინი პავლე მიხეილის ძე [დ. 3 (16). VII. 1917, ბეჟიცა], ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (1. V. 1943 და 1. VII. 1944), კაპიტანი (1944). სკკპ წევრი 1943-იდან. საბჭ. არმიაშია 1938-იდან. დაამთავრა ბორისოგლებსკის სამხ.-საავიაციო სკოლა (1938). დიდ სამამულო ომის (1941—45) დროს იბრძოდა სამხრეთის, ამიერკავკასიის, ჩრდ. კავკასიისა და სხვა ფრონტებზე. იყო რგოლის მეთაური, გამანადგურებელი საავიაციო პოლკის ესკადრილიის მეთაურის მოადგილე და მეთაური. პირადად ჩამოაგდო მტრის 35 თვითმფრინავი, ხოლო ჯგუფურ ბრძოლაში — 13. 1946-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

კამპალა (Kampala), უგანდის დედაქალაქი. მდებარეობს ცენტრ. აფრიკაში, ვიქტორიას ტბის ჩრდ. ნაპირის მახლობლად, დაახლ. 1300 *მ* სიმაღლეზე. ჰავა ეკვატორული მუსონურია. იანვ. საშ. ტემპერა 22°C-მდე, ივლისისა 20°C-მდე. ნალექები 1500 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. 500 ათ. მცხ. (1976).

რკინიგზის ხაზით უკავშირდება კენიის ნავსადგურ მომბასას (ინდოეთის ოკ.), რკინიგზის ტოტით — პორტ-ბელს (ვიქტორიას ტბა). საავტ. გზების კვანძი. კ-იდან 35 *კმ*-ზე ენტებეში არის აეროპორტი. კ. ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრია. საფეიქრო, საფქვავი, ზეთსახდელი, ლუდის საწარმოები, ყავის, ბამბის, ჩაის, ტყავის გადამუშავება, სიგარეტების, ცემენტის წარმოება.

კ-ში არის უნ-ტი, სამედ. სასწავლებელი და პედ. კოლეჯი, უგანდის სამეცნ. საზ-ბა, აღმ. აფრიკის რეგიონული ინ-ტი, სამეცნ.-კვლ. დაწესებულებანი, უნ-ტის ბ-კა, უგანდის მუზეუმი, ეროვნ. თეატრი.

კამპანა (Campana) დინო (20. VIII. 1885, მარადი, ტოსკანის ოლქი, — 1. III. 1932, კასტელ-პულჩი, ტოსკანის რ-ნი), იტალიელი პოეტი. სწავლობდა ბოლონიის უნ-ტში, მაგრამ მიატოვა და მოხეტიალე ცხოვრება დაიწყო. ოდესაში ყოფნისას დაუახლოვდა მაწანწალების ჯგუფს, მასთან ერთად მოიარა რუსეთი. ხეტიალში შეისწავლა მრავალი ენა. კ-ს ეკუთვნის ერთადერთი კრებული „ორფეული სიმღერები" (1914), რ-იც ხასიათდება კლასიკური აღნაგობით და ენის იშვიათი სიწმინდით. 1928 კრებულის მე-2 გამოცემაში შევიდა აგრეთვე მისი დახვეწილი პროზის ნიმუშები. 1941 გამოქვეყნდა „ორფეული და გამოუქვეყნებელი სიმღერები".

კამპანელა (Campanella) ტომაზო (5. IX. 1568, სტილო, იტალია, — 21. V. 1639, პარიზი), იტალიელი ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, ადრეული უტოპიური კომუნიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. 1599 დააპატიმრეს, 27 წელი გაატარა ციხეში, სადაც დაწერა თხზულებები: „გალილეის დაცვა", „მზის ქალაქი" და სხვ. სიცოცხლის ბოლო წლებში კ. პარიზის დომინიკელთა მონასტერში იყო და ფილოს., სოც.-პოლიტ. და ასტროლოგიურ პრობლემებზე მუშაობდა.

ფილოს. შეხედულებებით კ. აღორძინების ეპოქის ნატურფილოს. უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იყო, გამოდიოდა სქოლასტიკის წინააღმდეგ, იცავდა *გალილეის* მოძღვრებას, ფილოს. და მეცნ. ამოცანად მიიჩნევდა ბუნებაზე ადამიანის გაბატონებას, მაგრამ სქოლასტიკური ლიტ-რის გაელვების გამო ვერ შეძლო შეეფასებინა კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემა. ემხრობოდა პანთეისტურ მატერიალიზმს.

კ-ს ნატურფილოსოფია მოიცავს დიალექტ. ელემენტებს, კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ სინამდვილის უარყოფითი თვისება დადებითის გამოვლენის შესაძლებლობის აუცილებელი პირობაა. გნოსეოლოგიის სფეროში კ. უკიდურესი *სენსუალიზმის* პოზიციაზე იდგა.

კ-ს კომუნისტურ იდეებში აისახა XVI—XVII სს. იტალიის დაცემის პერიოდის ჩაგრული პლებეური მასების ინტერესები. წიგნში „მზის ქალაქი" (1602; გამოქვეყნდა 1623) კ. აღწერს იდეალურ ქალაქს, სადაც გონიერი და სრულყოფილი საზ. წყობილებაა; ყველა მოქალაქე ჩაბმულია წარმოებაში, უზრუნველყოფილია პროდუქციის განაწილება მოთხოვნილების მიხედვით. აქ არ არის არც კერძო საკუთრება და არც ოჯახი; საზ. წარმოებასთან, შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე ხორციელდება თაობათა აღზრდა. ამ საზ-ბის მმართველი, არჩეული ხალხის მიერ, უნდა ეუფლებოდეს თავისი დროის ცოდნას. ამასთან, აუცილებელია იცნობდეს პრაქტ. მოღვაწეობის ყველა სახეს. საზ. ცხოვრების სხვადასხვა სფეროს განაგებენ მმართველის თანაშემწეები, რ-ებსაც აგრეთვე ხალხი ირჩევს.

კ. აკრიტიკებს ექსპლუატატორულ წყობილებას და საზ-ბის პროგრესის მიზნად მიიჩნევს ადამიანთა ეკონ. და პოლიტ. თანასწორობას. მისი აზრით, საზ. საკუთრებაზე დაფუძნებულ მომავალ საზ-ბაში განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწევს მეცნიერება და ტექნიკა, რ-ებიც გამოიყენება მატერ. კეთილდღეობის შესაქმნელად. მნიშვნელოვანია კ-ს „ფილოსოფიური პოეზია" (გამოქვეყნდა 1834), რ-იც სოც. პრობლემებსაც ეხება. კ-ს უტოპიური კომუნიზმი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სოციალ. აზრის განვითარებაში.

თხზ.: Opere..., v. 1—2, Torino, 1854; Город солнца, М., 1954.

ლიტ.: გორგილაძე ლ., სოციალიზმის ისტორიიდან, თბ., 1967; გუგუშვილი პ., თომა კამპანელა, «საქართველოს ეკონომისტი», 1958, №9; კალანდარიშვილი ვ., საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება, თბ., 1974; Волгин В. П., Очерки по истории социализма, 4 изд., М.—Л., 1936; Лафарг П., Томас Кампанелла. Страницы из истории социализма, пер. с франц., М.—Л., 1926; Штекли А. Э., Кампанелла, [3 изд.], М., 1966.

ვ. კალანდარიშვილი.

კამპანია (ფრანგ. campagne — ლაშქრობა), 1. გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობა. მაგ., საარჩევნო კ. 2. (სამხ.) საერთო სტრატეგიული მიზნით გაერთიანებულ საომარ ოპერაციათა ერთობლიობა; ლაშქრობა. 3. (საზღვ.) ხომალდის განუწყვეტელი ცურვის პერიოდი. 4. (ტექ.) აგრეგატის, მანქანის, მექანიზმის განუწყვეტელი მოქმედების დრო. მაგ., ბრძმედის კ.

კამპანია (Campania), ოლქი სამხრ. იტალიაში, ტირენის ზღვის სანაპიროზე. ფართ. 13,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 5,3 მლნ. კაცი (1976). მოიცავს აველინოს, ბენევენტოს, კაზერტის, ნეაპოლის, სალერნოს პროვინციებს. მთავარი ქალაქი და იტალ. ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური — ნეაპოლი. სანაპირო ხაზი ძლიერ დანაწევრებულია. ტერიტორიის დიდი ნაწილი უჭირავს აპენინებს. კ. აქტ. ვულკ. და სეისმური მოქმედების რ-ნია (მოქმედი ვულკანი ვეზუვი). ჰავა სანაპიროზე ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა (ნალექები 650 *მმ*-ზე მეტი წელიწადში), მთაში — შედარებით ცივი, იცის თოვლიანი ზამთარი.

კ. ეკონომიკურად სამხრ. იტალიის ყველაზე განვითარებული ოლქია. სანაპირო ვაკეებზე მოჰყავთ საადრეო ბოსტნეული, ხილი, ციტრუსები, დანარჩენ ნაწილში — ხორბალი და სიმინდი. ბორცვების კალთებზე ვენახები და ზეთისხილის ბაღებია. განვითარებულია მეცხვარეობა.

მრეწვ. მთავარი დარგებია მეტალურგია, გემთმშენებლობა, რკინიგზის მოწყობილობის წარმოება, ელექტროტექ., რადიოელექტრონული, ნავთობგადასამუშ., ცემენტის, სამხ., კვების მრეწველობა. არის თესები. მთავარი სამრეწვ. ცენტრია დიდი ნეაპოლი და კაზერტის რ-ნი. განვითარებულია ტურიზმი. ფართოდაა ცნობილი ზღვისპირა კურორტები: სორენტო, პოცუოლი, კაპრი, ისკია და სხვ.

ძვ. წ. I ათასწლ. დამდეგს კ-ის ტერიტ. დასახლებული იყო ოსკების ტომებით. ძვ. წ. VI ს-ში დაიპყრეს ეტრუსკებმა, V ს. შუა წლებში — სამნიტებმა, IV ს-ში — რომაელებმა. ავგუსტუსის ადმ. რეფორმით (ძვ. წ. 27) კ. ლაციუმთან და პიცენუმთან ერთიან ოლქს ქმნიდა. კ-ის მნიშვნელობა განაპირობა მოხერხებულმა გეოგრ. მდებარეობამ, ნაყოფიერმა მიწებმა და სავაჭრო გზებმა (Via Appia, Via Latina და სხვ.); სამკურნ. წყლებისა და ლამაზი ადგილმდებარეობის გამო კ. წარჩინებულ რომაელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო. XII—XIII სს-ში კ-ის ტერიტ. შედიოდა სიცილიის, შემდეგ ნეაპოლის სამეფოში. 1504—1860 ეკუთვნოდა *ორივე სიცილიის სამეფოს.*

კამპანია სამხედრო, ომის ეტაპი, რ-ის მსვლელობაშიც აღწევენ ომის შუალედურ მიზანს. ყოველი სამხ. კ-ის

ლ. კამოენსი.

პ. კამოზინი.

ტ. კამპანელა.

ი. ვან კამპენი. ზეფის სასახლე (ყოფილი რატუშა) ამსტერდამში. 1648 — 55. სამოქალაქო დარბაზი.

კამპანილე.

კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

რობერ კამპენი. „ღვთისმშობელი ჩვილი ყრმით". ერმიტაჟი. ლენინგრადი.

დროს ტარდება სტრატეგიული ოპერაციები და სხვა სახის საომარი მოქმედებანი, რ-ებიც გაერთიანებულია საერთო ჩანაფიქრით და ტარდება ერთი ან რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით, ან მთლიანად საომარი მოქმედებაა ასპარეზზე. კ-ის აღსანიშნავად იხმარება სახელწოდებები: ზაფხულის, ზამთრის, 1944 კ. და სხვ. კ. რ-იც მოიცავს შეიარაღებული ძალების სამხ. მოქმედებას ერთ ასპარეზზე, ზოგჯერ აღინიშნება გეოგრ. სახელწოდებებით: მაგ., ბოჰემიის კ. 1866, იტალიის კ. 1796—97 და სხვ.

კამპანილე (იტალ. campanile), სამრეკლო შუა საუკუნეთა და აღორძინების ეპოქის იტალიის არქიტექტურაში. როგორც წესი, აღმართული იყო ტაძრისგან მოშორებით. მის პროტოტიპს ქალაქის სადარაჯო კოშკი წარმოადგენდა. გეგმით ოთხწახნაგა (ან მრგვალი) ნაგებობის ქვედა სართული ყრუ იყო, ზემო სართულებში კი ღიობების რაოდენობა და სიდიდე თანდათან მატულობდა, რითაც იქმნებოდა სიმსუბუქისა და მოხდენილობის ერთიანი შთაბეჭდილება.

კამპენი (Kampen, Campen) იაკობ ვან (2. II. 1595, ჰარლემი, — 13. IX. 1657, რანდენბრუკი), ჰოლანდიელი არქიტექტორი, XVII ს. ჰოლანდიური კლასიციზმის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. მემამულის შვილი. 1615—21, როგორც ჩანს, იტალიაში სწავლობდა, შეისწავლა *პალადიოს* შემოქმედება. 1621—30 მუშაობდა ჰარლემში. მთავარი ნამუშევრებია: პატარა სასახლე მაურიცჰეისი ჰააგაში (პ. პოსტთან ერთად, 1633—35), როტონდით დაგვირგვინებული რატუშა ამსტერდამში (1648—55), რ-ის სამოქალაქო დარბაზი მოიცავს 4 სართულს.

კამპენი (Campin) რობერ (დაახლ. 1378—26. IV. 1444), ნიდერლანდელი ფერმწერი. მუშაობდა ტურნეში. აიგივებენ ე. წ. ფლემალელ ოსტატთან. შემოქმედებითად დაკავშირებული იყო XIV ს. ნიდერ. მინიატიურისა და ქანდაკების ტრადიციებთან. მან პირველმა შეიმუშავა ნიდერ. აღორძინების პრინციპები. კ-ის ნამუშევრები უფრო არქაულია, ვიდრე მისი თანამედროვე ი. ვან ეიკისა. კ-ს ზოგჯერ რელიგ. სიუჟეტებში ყოფითი დეტალები შეჰქონდა (ტრიპტიქი „ხარება", მეტროპოლიტენ-მუზეუმი, ნიუ-იორკი). კ-ის შემოქმედებამ დიდი გავლენა იქონია ნიდერ. მხატვრებზე.

კამპეჩე (Campeche), ქალაქი მექსიკაში, კამპეჩეს შტატის ადმ. ცენტრი. 81 ათ. მცხ. (1970). ნავსადგური კამპეჩეს ყურეში (გააქვთ ჰენეკენი, ხე-ტყე). იუკატანის ნ.-კ-ის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. ჰენეკენის ბოჭკოს გადამუშავება. კვების მრეწვ. საწარმოები. თევზჭერა. კ. დაარსდა 1540.

კამპეჩეს ყურე, მექსიკის ყურის სამხრ. ნაწილი, იუკატანის ნ.-კ-ის დას-ით. ხმელეთში შეჭრილია 300 *კმ*-ზე. სიგანე შესასვლელთან დაახლ. 750 *კმ*. სიღრმე ღია ნაწილში 3286 *მ*-მდე, აღმ. ნაპირთან 34 *მ*-მდე. მოქცევა ძირითადად დღეღამურია, სიმაღლე 0,6—1,2 *მ*. კ. ყ-ის მთავარი ნავსადგურებია: კამპეჩე, კო











სტ. კარავაჯო. „ლუტნის დამკვრელი“. 1595. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

ნაკადებშში შემორჩენილია ნიანგი, ბევრია წყლის Ძ ფრინველი. საპის ტბა მდიდარია თევზით.ი.

მოსახლეობა. მოსახლ. 85% ქმერები (კამპუჩიელები) არიან. ცხოვრობენ აგრეთვე ვიეტნამელები, ჩინელები, ჩამები, მალაიელლები, მთიელი ქმერები, ქ-ებში — ფრანგებები. რელიგია — ბუდიზმი. არიან კონფუციანელები, მუსლიმანები, კათოლიკეებიც. მთიელი ქმერები ინარჩუნებენ ტრად. რწმენებს.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 70%-ზე მეტი დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, ᲡᲔᲒᲖᲭᲔᲠᲠᲐᲡᲐ და სატყეო მეურნეობაში. მოსახლ. . საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 27 კაცი 1 *კᲛ*^{2}-ზე (1979). ყველაზე მჭიდროდ დასახლეულია მდ. მეკონგის ველი, ქ. პნომპენის მიდამოები, საპის ტბის სანაპირო და ზღვისპირა დაბლობები. დიდი ქ-ებია პნომპენი, ბატამბანგი, კამპონგთამი.

ისტორიული ნარკვევი. კ-ის ტერიტორიაზე აღდამიანს ᲯᲔᲠ კიდევ ადრინდ. ნეოლითში უცხოვრია. პირველი ცნობილი სახელმწიფო (მდ. მეკონგის დელტაზე) იყო ფუუნანის მონარქია (I — VI სს.). მას სავაჭრო-კულტ. ურთიერთობა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ სამხრ. ინდოეთთან და ჩინეთთან (*გავრცელდა ინდუიზმი* და *ბუდიზმი*). VII—VIII სს-ში კ-ის ტერიტორიაზე აღმოცენდა ახ. სახელმწიფოები (მიწის ჩენლა და წყლის ჩენლა), დასუსტდა გვაროვნ. სამეწყალმოქმედო არისტოკრატია, თავი იჩინა გლეხობის ექსპლუატაციის ახ. ფორმებმა, დდამკვიდრდა მიწით ვაჭრობა.

IX ს-ში მეკონგის დელტასა და მის შემოგარენში შეიქმნა *კამბუჯადეშის* იმპერია, რ-იც XI ს-ში ინდოჩინეთის ნ.-კ. ყველაზეე ძლიერი სახელმწიფო გახდა. XIII ს. (დასასრ. იმპერია დაიშალა. XV—XVI სს-შში განვითარდა საწარმოო ძალები, გაძლიერდა ქ-ების როლი. XIX ს. დამდეგს კ. ეომებბოდა სიამსა (ტაილანდი) და დაივიეტს (ვვიეტნამი), რის შედეგად დაკარგა ტერიტ. (ნაწილი.

XIX (ს. შუა წლებში კ. საფრ. კოლონ. ექსპანსიის ობიექტი გახდა. 1863 საფრანგეთმა კ-ს თავს მოახვია ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, რ-იც 1884 შეიცვალა უფრო მძიმე კაბალური ხელშეკრულებით. კ. ფაქტობრივად საფრ. კოლონია გახდა. ᲥᲛᲔᲠᲘᲡ მონარქიამ მხოლოდ ალმასრ. ხელისუფლება შეინარჩუნა (რ-საც საფრ. რეზიდენტი უწევდა კონტროლს). 1887 კ. და მასთან ერთად სახელმწიფოები: *ანამი*, ტონკინი და კოხინჩინა შეეიდნენ ე. წ. ინდოჩინეთის კავშირში. ქვეყნის ეკონომიკა საფრ. კონტროლს დაექვემდებარა. მეფის მწყაზე საკუთრების უზენაესი უფლება (გაუქმდა. კოლონიზატორებმა შექმნეს მიწების საკონცესიო ფონდი, საიდანაც სავარგულები ᲫᲚᲔᲝᲓᲐ საფრ. ქვეშევრდომებსა და კოლონიზატორებთან მეთანამშრომლე მკვიდრ მოხელეთა ბიუროკრ. ზედაფენას. გაპლიერებულმა ექსპლუატაციამ გამოიწვია გლეხთა მღელვარება, რაც 60-იან, 80—90-იან წლებში გადაიზარდა მასობრივ აჯანყებებში.

I მსოფლიო ომის (1914—18) წლებში საფრანგეთმა კ-იდან გაზიდა დიდძალი ნედლეული და სურსათი, გაიყვანა ქმერი ჯარისკაცები, მუშახელი. ომისმომდეევნო წლებში საფრ. კაპიტალი უფრო ინტენსიურად შეიჭრა კ-ის ეკონომიკაში. გლეხობის ექსპლუატაციის ძირითადი ფორმა იყო რენტა-გადასახადი და სახელმწ. საბატონო ბეგარა. მშრომელი მასები აბსოლუტურად უუფლებონი იᲫᲕᲜᲔᲜ. განმათ. მოძრაობა გლეხთა აჯანყებაში ვლინდებოდა. 1930-იანი წლებიდან კ-ის ხალხის ეროვნ.-განმათ. მოძრაობა მჭიდროდ დაუკავშირდა ვიეტნ. ხალხის ᲒᲐᲜᲛᲐᲗ. ბრძოლას. ათასობით მოწინავე პატრიოტი გაერთიანდა ინდოჩინეთის კომპარტიაში (შეიქმნა 1930).

II მსოფლიო ომის (1939—45) პერიოდში კ. ოკუპირებული იყო იაპონიის მიერ (თუმცა ფორმალურად ისევ საფრ. პროტექტორატს ემორჩილებოდა). იაპონელმა ოკუპანტებმა კ. სამხ. ბაზად გადააქციეს. ორმაგი კოლონ. ჩაგვრის მძიმე უღელმა მოსახლ. მასობრივად აამხედრა უცხ. მოძალადეების წინააღმდეგ. 1945 მარტში იაპონელებმა გააუქმეს საფრ. პროტექტორატი და გამოაცხადეს კ-ის „დამოუკიდებლობა". იაპ. დამარცხების შემდეგ (1945 წ. სექტ.) საფრ. ჯარები, იაპ. ნაწილების განიარაღეპის საბაბით, ისევ დაბრუნდნენ კ-ში. ფრანგი იმპერიალისტები შეეცადნენ კვლავ აღედგინათ თავიანთი კოლონ. ბატონობა, მაგრამ ქმერი ხალხის განმათ. ბრძოლამ აიძულა ფრანგი კოლონიზატორები „შინაგანი ავტონომია" მიენიჭებინა კ-თვის. 1946 სექტ. არჩეულმა საკონსულტაციო კრებამ დაამტკიცა ქვეყნის პირველი კონსტიტუცია (ძალაში შევიდა 1947 წ. 6 მაისს), რ-ითაც კ. კონსტ. მონარქიად გამოცხადდა. 1949 წ. 8 ნოემბ. პარიზის ხელშეკრულებით საფრანგეთმა ცნო კ-ის დამოუკიდებლობა საფრ. კავშირში „შემოერთებული სახელმწიფოს" უფლებებით. 1953 ივნ. საფრანგეთმა ცნო კ-ის სუვერენიტეტი საგარეო პოლიტ., სფეროში, ხოლო 9 ნოემბ. ოფიციალურად შეწყდა საფრ. ადმ. საქმიანობა კ-ში.

1954 ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ თათბირზე კ-ის დელეგაციამ განაცხადა, რომ არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხ. სამხ. ბაზების მშენებლობას. 1955 პრინცმა ნ. *სიანუკმა* უარი თქვა ტახტზე მამის სასარგებლოდ. შექმნა და სათავეში ჩაუდგა პოლიტ. ორგანიზაციას—სახალხო-სოციალისტური გაერთიანება (სანგკუმი). 1955 წ. 11 სექტ. სანგკუმმა გაიმარჯვა სახ. კრების საყოველთაო არჩევნებში. იმავე წლის ოქტ-ში შეიქმნა სანგკუმის პირველი მთავრობა, რ-მაც მიზნად დაისახა ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება და მისი ეკონ. და კულტ. აღმავლობა. 1955—58 მთავრობამ გაატარა სოც. გარდაქმნები. მეფე ნოროდომ სურამარიტის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე არავინ ასულა. 1960 წ. 12 ივნ. კ-ის პარლამენტმა შემოიღო სახელმწ. მეთაურის პოსტი, რ-იც ნ. სიანუკმა დაიკავა. 1955 კ. გახდა გაეროს წევრი. 1956 წ. 13 მაისს სსრკ-სა და კ-ს შორის დამყარდა დიპლ. ურთიერთობა. 1963 ნოემბ. აშშ-ის ძირგამომთხრელი საქმიანობის გამო კ-მ უარყო ამერ. „დახმარება" და მოსთხოვა მას ქვეყნიდან გაეყვანა ᲧᲕᲔᲚᲐ მისია და სამსახური.

1970 წ. 18 მარტს, ნ. სიანუკის საზღვარგარეთ ყოფნის დროს, კ-ის არმიის მემარჯვენე პროამერ. ელემენტებმა გენ. ლონ ნოლის ხელმძღვანელობით მოაწყვეს სახელმწ. გადატრიალება. ახ. რეჟიმს სათავეში ჩაუდგა ლონ ნოლი. აშშ-მა თავისი და სამხრ. ვიეტნამის მარიონეტული მთავრობის ჯარები შეიყვანა კ-ში და სამხ. და ფინანს. დახმარება გაუწია ახ. ხელისუფლებას. ამის საპასუხოდ 1970 მაისში კ-ში შეიქმნა ერთიანი ეროვნ. ფრონტი, კ-ის ეროვნ. განთავისუფლების სახ. შეიარაღებული ძალები და კ-ის ეროვნ. ერთიანობის სამეფო მთავრობა. ეროვნ. ფრონტმა მიზნად დაისახა პნომპენის ანტიხალხური, პროამერიკული რეჟიმის დამხობა, ეროვნ. სუვერენიტეტისა და მშვიდობის დაცვა (ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით). 1970 წ. 9 ოქტ. ლონ ნოლმა გამოაცხადა „ქმე-



კამპუჩია. ცემენტის ქარხანა. კამპოტის პროვინცია.

კამპუჩია. პარიპარის სტატუა. პრასატ-ანდეტის ტაძარი. კამპონგთომის პროვინცია. ქვიშაქვა. დაახლ. 1113 — 50.


კამპუჩია
ᲡᲐᲛᲠᲝᲜᲒᲘ
ᲒᲐᲛᲐᲞᲣᲚᲘ
ᲡᲘᲡᲝᲤᲝᲜᲘ
ᲠᲐᲚᲐᲜᲘ
ᲞᲜᲝᲛᲞᲔᲜᲘ
ᲡᲐᲛᲑᲝᲚᲘ
ᲞᲝᲣᲡᲐᲢᲘ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ
ᲞᲐᲠᲘᲞᲐᲠᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲞᲠᲐᲡᲐᲢ-ᲐᲜᲓᲔᲢᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲥᲕᲘᲨᲐᲥᲕᲐ
ᲓᲐᲐᲠᲡ
ᲐᲜᲓᲐᲣᲜᲒᲞᲔᲢᲘ
ᲚᲝᲛᲤᲐᲢᲘ
ᲠᲔᲐᲚᲘ
ᲡᲠᲐᲔᲣᲚᲘ
ᲡᲠᲐᲔᲑᲐᲜᲘ
ᲡᲠᲐᲔᲡᲐᲠᲘ
ᲡᲠᲐᲔᲠᲝᲜᲔᲐᲛᲘ
ᲡᲣᲜᲗᲠᲝᲜᲠᲐᲘᲝᲜᲘ
ᲡᲠᲐᲔᲚᲘ
ᲡᲐᲛᲑᲝᲚᲘ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘ
ᲞᲝᲣᲡᲐᲢᲘ
ᲙᲐᲚᲔᲜᲯᲘ
ᲑᲐᲠᲐᲘ
ᲞᲠᲔᲐᲚᲘᲜᲘ
ᲞᲜᲝᲛᲞᲔᲜᲘ
ᲞᲝᲠᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ
ᲛᲝᲜᲯᲠᲘ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ
ᲙᲐᲛᲞᲝᲜᲒᲗᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ
ᲞᲐᲠᲘᲞᲐᲠᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲞᲠᲐᲡᲐᲢ-ᲐᲜᲓᲔᲢᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ
ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲐ
ᲛᲐᲚᲐᲘᲖᲘᲐᲡ ᲡᲢᲐᲢᲣ



კამპუჩია. ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. კამპონგსაომი.

კამპუჩია. ქალის ფიგურა ანგკორიდან. XII ს. პირველი ნახევარი. ქვიშაქვა. ეროვნული მუზეუმი. პნომპენი.



კამპუჩია. ქ. პნომპენი. საერთო ხედი. წინა პლანზე — ქალაქის სავაჭრო ცენტრი.

რის რესპუბლიკა", რ-ის პრეზიდენტი თვითონ გახდა (1972 მარტი). 1972 წ. 30 აპრ. ჩატარდა რეფერენდუმი, რის შედეგად მიიღეს კ-ის ახ. კონსტიტუცია.

1970 წ. მარტიდან ხუთი წლის მანძილზე კამპუჩიელი პატრიოტები გმირულ განმათ. ბრძოლას ეწეოდნენ ლონ ნოლის პროიმპერიალ. რეჟიმის წინააღმდეგ. 1975 წ. 17 აპრ. მძიმე ბრძოლის შემდეგ, ლონ ნოლის რეაქციული რეჟიმი დაემხო.

1975 წ. 14 დეკ. სახ. წარმომადგენელთა მესამე ეროვნ. კონგრესმა მოიწონა ქვეყნის ახ. კონსტიტუცია, რ-იც ძალაში შევიდა 1976 წ. 5 იანვარს. ახ. კონსტიტუციის თანახმად კ-ს ეწოდა „დემოკრატიული კამპუჩია" (ქვეყნის ძვ. სახელი ქმერულ ენაზე). 1976 წ. 20 მარტს ჩატარდა სახ. წარმომადგენელთა კრების არჩევნები. აღნიშნული კრების პირველ სესიაზე გადადგა სახელმწ. მეთაური ნ. სიანუკი და შეიქმნა ახ. მთავრობა პოლ პოტის მეთაურობით, რ-მაც ტირანიისა და სისხლიანი ტერორის რეჟიმი დაამყარა ქვეყანაში. პეკინის მაოისტური ხელმძღვანელობის მითითებით კ-მ გაწყვიტა კავშირი სოციალ. ქვეყნებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან, დაადგა სამხ. ავანტიურების გზას. საზღვრის „შესწორების" საბაბით ნამდვილი სასაზღვრო ომი გააჩაღა ვიეტ. სრ-ის წინააღმდეგ. პნომპენის ხროვამ კ-ში დაიწყო ქვეყნის პოლიტ. ორგანიზაციის პეკინის მიერ რეკომენდებული მოღალატის დანერგვა, რ-მაც ქმერი ხალხის ფიზიკურ არსებობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა (იმსხვერპლა 3 მლნ. ადამიანის სიცოცხლე). მოსახლ. მღელვარება მალე საყოველთაო განმათ. ბრძოლაში გადაიზარდა. 1978 დეკ. შეიქმნა ეროვნ. ხსნის ერთიანი ფრონტი (ეხეფ), რ-იც სათავეში ჩაუდგა ამ ბრძოლას. 1979 წ. 7 იანვ. ეხეფ-ის ძალებმა დაამხეს პოლ პოტისა და იენგ სარის ხროვის რეაქც. დიქტატურა პნომპენში, შეიქმნა სახალხო რევოლუციური საბჭო (მთავრობა) ჰენგ სამრინის მეთაურობით. 1979 წ. 11 იანვ. გამოცხადდა კ-ის სახ. რესპუბლიკა, რ-მაც აღადგინა მეგობრული ურთიერთობა სოციალ. ქვეყნებთან, შეწყვიტა ომი ვიეტ. სრ-თან. საშინაო პოლიტიკაში კ-ის სახ. რესპ. საბჭომ მიზნად დაისახა დამოუკიდებელი, დემოკრ., მშვიდობიანი, სოციალიზმის გზით მიმავალი ქვეყნის შექმნა.

ეკონომიკა. საფრ. ბატონობის პერიოდში კ. მეტროპოლიის აგრ.-სანედლეულო ბაზას წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების (1953) შემდეგ კ. დაადგა კოლონ. ბატონობის შედეგების აღმოფხვრისა და ეკონ. აღმავლობის გზას. განვითარდა სახელმწ. (სამრეწვ. საწარმოები, ენერგეტიკა, ირიგაცია და სხვ.), ეროვნ. კერძოკაპიტალ. და შერეული (ეროვნ. და უცხ. კაპიტალის მონაწილეობით) სექტორები. რეაქციული გადატრიალების (1970) შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამერიკა-საიგონის აგრესიამ დიდი ზიანი მიაყენა კ-ის მეურნეობას. პნომპენის განთავისუფლებისა და მარიონეტული რეჟიმის ლიკვიდაციის (1975) შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა რეაქციულმა ჯგუფმა ქვეყნის ეკონ. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. 1979 იანვრიდან კ-ის პატრ. ძალებმა დაიწყეს ბრძოლა ქვეყნის ეკონ. აღსადგენად.

კ-ის ეკონ. საფუძველია სოფ. მეურნეობა. წამყვანი დარგია მიწათმოქმედება. მთავარი სასურსათო კულტურის ბრინჯის ნათესები ძირითადად მდ. მეკონგისა და საპის ტბის სანაპიროებზეა. მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი, ბატატი, ჩინური კარტოფილი, სოია; აშენებენ ქოქოსის პალმას, შაქრის ლერწამს, პილპილს, არაქისს, თამბაქოს, ბამბას, ჯუთს, ფორთოხალს, მანდარინს, ბანანს, ანანასსა და სხვ. დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ჰევეის პლანტაციებმა. საქონელს იყენებენ უმთავრესად როგორც გამწევ ძალას. ამზადებენ ხეტყეს. აგროვებენ ილს, გუტაპერჩს. მისდევენ თევზჭერას.

მრეწველობა უმთავრესად ადგილ. სას.-სამ. ნედლეულს ემყარება. მინერ. რესურსები ნაკლებად არის შესწავლილი. მცირე რაოდენობით იღებენ ფოსფორიტებს, მაგნეზიტს, რკინისა და ფერადი ლითონების მადანს, ძვირფას ქვებს, მარმარილოსა და ბაზალტს. ელექტროენერგიას უმთავრესად თესები იძლევა. დამუშავებითი მრეწვ. მთავარი დარგია კვების მრეწველობა (საფქვავი, ბრინჯსაცეხვი, შაქრის, თამბაქოს, თევზგადასამუშ., სპირტ-არაყისა და სხვ.). არის კაუჩუკის, ლითონდასამუშ., ხის დასამუშ., ქაღალდის, საფეიქრო, ცემენტის, ნავთობგადასამუშ. საწარმოები. სოციალ. ქვეყნების დახმარებით აშენდა საფეიქრო, ქაღალდის ფ-კები, ფანერის, ცემენტის, ტრაქტორ- და ავტოსაამწყობო, სალტეების, ლუდის, შაქრისა და სხვ. ქ-ნები. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია პნომპენი, ბატამბანგი, კამპონგსაომი.

რკინიგზის სიგრძეა დაახლ. 1,4 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა—დაახლ. 11 ათ. *კმ*. მნიშვნელოვან როლს თამაშობს წყლის გზა. სამდ. და საზღვ. გადაზიდვათა დიდი ცენტრია პნომპენი. დიდი ნავსადგურია კამპონგსაომი. პნომპენის მახლობლად არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი.

საგარეო ბაზარზე კ-ს გააქვს ნატურალური კაუჩუკი, ხე-ტყე, პილპილი და სხვ. შეაქვს უმთავრესად მანქანა-მოწყობილობანი, საფეიქრო ნაწარმი, ლითონი და ლითონის ნაკეთობანი.

განათლება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კ-ში მნიშვნელოვნად განვითარდა სახ. განათლების საქმე, საგრძნობლად შემცირდა წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი. 1976 განათლების სისტემის საფეხურები იყო: 6-წლიანი უფასო დაწყ. სკოლა (3+3), არასრული საშ. 4-წლიანი სკოლა (კოლეჯი), სრული საშ. 7-წლიანი სკოლა (ლიცეუმი), რ-ის დამთავრების შემდეგ ეძლეოდათ „სრული ბაკალავრის" ხარისხი და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. 1976 კ-ში იყო 1200-მდე სახელმწ. სკოლა, 1500-მდე სამონასტრო სკოლა, 100-მდე ლიცეუმი და კოლეჯი. 1976 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 1 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, საშ. სკოლაში — 110 ათ-ზე მეტი მოსწავლე. პროფტექ. მომზადება ხორციელდებოდა დაწყ. სკოლის ბაზაზე პროფსკოლებსა და ტექ. კოლეჯებში. 1976 წ. 30-ზე მეტ პროფსასწავლებელში სწავლობდა 6 ათ-ზე მეტი მოსწავლე. პედ. განათლებას იღებდნენ პედ. ცენტრებსა და ეროვნ. უნ-ტში. იყო 9 უმაღლესი სასწავლებელი (15 ათ-მდე სტუდენტი). სსრკ-მა ააშენა (1964) და კ-ის ხალხს საჩუქრად გადასცა უმაღლესი ტექნოლ. ინ-ტი პნომპენში.

1976 პნომპენში იყო ეროვნ. ბ-კა (32 ათ. ტ.), სამეფო კარის მუზეუმი, ეროვნ. მუზეუმი (1917), სადაც ინახებოდა VI—XX სს. ქმერული ხელოვნ. კოლექცია.

კ-ის საინფორმაციო სააგენტო და სამთავრობო რადიოსადგური — სახ. კ-ის ხმა შეიქმნა 1978 დეკ-ში.

ლიტერატურა. კ-ის ლიტ-რის პირველი ცნობილი ძეგლებია ვოკანისა (თანამედროვე ვიეტ. ტერიტ., III ს.) და ტონლე-ბატის (VI ს.) კედლების სანსკრ. წარწერები. ძვ. ქმერული წარწერები VII ს. დასაწყ. მიეკუთვნება. განსაკუთრებით განვითარდა ქმერული კულტურა ანგკორის პერიოდში (802—1433). სანსკრიტზე წერდნენ იაშოვარმან II, კავიშვარა, იოკინდრა, სუბჰადრა; ქმერულ ენაზე — კაოსათიპადეი კაუ, დუონგი, ტიეი ნონი, ნეაკპანგი, სამფეარი, ფოკდეი და სხვ. ლიტ-რაში გავრცელდა აგრეთვე პალის ენა. აღსანიშნავია ქმერულ ენაზე შექმნილი ლირ. პოემა „ინდრადევი" და ეპოსი „რეამკერი". ე. წ. საშ. პერიოდის (1434—1862) თვალსაჩინო ნაწარმოებია ხალხ. პოემა-თქმულება „ტუმი და ტეაუ" (XV ს.). ფრანგ. კოლონ. რეჟიმის პერიოდში (1863—1953) მოღვაწეობდნენ მწერლები სოტან პრეიტეია ენი, საომ ლოტი, ნუ კანი და სხვ. ამ პერიოდის საუკეთესო თხზულებაა ბამრაე უტეი ნგინგის პოემა „სრატოპ ტიეკი". XX ს. 30—40-იან წლებში იქმნება პირველი რომანები (ნიოკ თაემის, რიმ კინის, ნუ ჰატის); აგროვებენ და აქვეყნებენ ფოლკლორულ ნაწარმოებებს.

ხელოვნება. კ-ის უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლები ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანებს მიეკუთვნება. VI ს-ში ანგკორ-ბორეასა და VII ს-ში სამბორ-პრეი-კუკში აშენდა სამლოცველოები. VI ს-ში ინდ. გავლენით იქმნება ქანდაკება. VII—VIII სს-ში ქანდაკება თვითმყოფ ხასიათს იძენს. IX ს-ში შეიქმნა ხუროთმოძღვრული ანსამბლები. ჩამოყალიბდა „ტაძარ-ეორის" ტიპი (ბაკონგი როლუოსში, IX ს.). X ს-ში აყვავდა კვეთილი დეკორის ხელოვნება. IX—XIII სს-ში აიგო *ანგკორის* გიგანტური კომპლექსი. XIV ს. ხუროთმოძღვრებაში ქვა შეცვალა ხემ (მეფის სასახლე და „ვერცხლის პაგოდა" პნომპენში). XIX ს. II ნახევრიდან ქ-ებში შენობებს აგებენ ფრანგ. ეკლექტიკური არქიტ. გავლენით. ამ ხანებში მოღვაწეობს ფერმწერი ოკნ ტეპ ნიმიტ ტლაკი (XX ს.). დამოუკიდებლობის გამოცხადების (1953) შემდეგ აგებენ ძვ. ტრადიციებთან შეხამებულ რკინაბეტონის შენობებს (არქიტ. ვანმოლივანი). ტრად. ხალხ. ხელოვნების დარგებია: აბრეშუმის ხელით ქსოვა, ხეზე კვეთა, ლითონზე გრავირება, ქარგვა და სხვ.

ქმერების მუს. კულტურას უძველესი ტრადიციები აქვს. ორკესტრი და სხვადასხვა საკრავები გამოსახულია ანგკორის უძველეს ბარელიეფებზე. რადგან ქმერების მუსიკის სტრუქტურას რიტმი განსაზღვრავს, ორკესტრში მთავარი ადგილი ეთ-

მობა დასარტყამ საკრავებს—დოლებს (სამფო, ჩაიამი), ორმაგ ტიმპანებს (სკოთომი), ციმბალებსა და გონგებს. მელოდიას ასრულებს ჰობოი (პეი ო, პეი-პოკი, პრა პეი) ან ლერწმის ფლეიტა (ქლოი). XII ს-იდან გაჩნდა სიმებიანი საკრავები: ლუტნები (ტა დიეუ, ტიაპეი და ტა ქე), ვიოლინოს ტიპის საკრავები (ტრო-ჩე, ტრო-საო, ტრო-კმაე). დიდი კლასიკური ორკესტრის თანხლებით სრულდება სამეფო ბალეტის წარმოდგენები. 1966 პნომპენში დაარსდა ნატიფი ხელოვნ. ინ-ტი, რ-იც ამზადებს პროფ. მსახიობებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებს. ინ-ტი კრებს სასიმღერო, საკრავიერ, საცეკვაო და ლიტ. ფოლკლორს, რ-იც დამუშავებული სახით სრულდება ღია ცის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სცენებზე. პნომპენში აშენდა საკონცერტო დარბაზი.

ძვ. ტაძრების წარწერებში მოხსენიებულია მოცეკვავეების, მომღერლებისა და მუსიკოსების სახელები.

კ-ში არსებობს თეატრ. წარმოდგენის 3 ძირითადი სახე: სამეფო ბალეტი, ჩრდილების თეატრი და სახ. თეატრი. სამეფო ბალეტი იყენებს კ-ის შუა საუკ. ბალეტის ტრადიციებს. წარმოდგენებს საფუძვლად უდევს ძვ. ლეგენდები და ზღაპრები. ცნობილია 30-მდე ასეთი სიუჟეტი. მთავარ როლებს ქალები ასრულებენ. დასში ორი მოცეკვავე მამაკაცია, რ-ებიც დემონების, მასხარებისა და მხეცების როლებს ასრულებენ ნიღბებით (ქალები გამოდიან უნიღბოდ, მაგრამ გრიმით). ჩრდილების თეატრი წარმოდგენებს მართავს რელიგ. დღესასწაულების დროს. მკაცრადაა დაკანონებული სიუჟეტი და თოჯინების სილუეტები. სპექტაკლი მიჰყავს ეკრანის უკან მდგარ მსახიობ-მთხრობელს. დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხ. თეატრი, სადაც თამაშობს ორი მსახიობი (უკოსტიუმოდ და დეკორაციის გარეშე). წარმოადგენენ პატარ-პატარა იმპროვიზებულ სცენებს სიმღერის თანხლებით. 1955 პნომპენში გაიხსნა სახელმწ. დრამ. თეატრი. 1964—69 კ-ის სამეფო ბალეტი საგასტროლოდ იყო სსრკ-ში.

ლიტ.: Всеобщая история архитектуры, т 9, Л.— М., 1971, с. 196—241; Крыжицкий Г., Экзотический театр, Л., 1927; Михеев Ю. Я., Американцы в Индокитае, М., 1972; Сочевко Г. Г., Современная Камбоджа (1941—1965), М., 1967.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 336—337.

კამური თეთრი, ქართული ვაზის ჯიში. მიეკუთვნება გურიის ვაზთა ჯიშების ჯგუფს. ნაყოფი თეთრია, სუფრისა, ლამაზი მარცვალი და მტევანი აქვს, კარგად ინახება. გვხვდება ერთეული ძირების სახით გურიისა და იმერეთის რ-ნებში. ჯიში დაცულია საქართვ. მებაღეობის, მეღვინეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. და სას.-სამ. ინ-ტების საკოლექციო ვენახებში.

ვ. გოცირიძე.

კამუფლიტური აფეთქება, ფეთქებადი ნივთიერების მუხტის სიღრმული აფეთქება, რ-იც იწვევს გარემოს ნგრევას ან მის პლასტ. დეფორმაციას და გამორიცხავს მიწის ზედაპირის ნარჩენ დეფორმაციას. კ. ა-ის მიზანია მიწისქვეშა სიღრუის შექმნა თხევად და აირად ნივთიერებათა შესანახად, აგრეთვე მყარი სასარგებლო წიაღისეულის მსხვრევა, ნახშირის ფენების სამთო წნევისაგან განტვირთვა, მათი დეგაზაცია და სხვ.

კამფენური გადაჯგუფებები, *ტერპენის* რიგის ნაერთთა შიგამოლეკულური გადაჯგუფებები. ცნობილია პირველი და მეორე გვარის კ. გ.: ტერპენების ურთიერთგარდაქმნა კ. გ-ის დროს ალიფატურ რიგში მიმდინარე *რეტროპინაკოლინური გადაჯგუფების* ანალოგიურია. მაგ., მჟავების თანაობისას *ბორნეოლის* დეჰიდრატაციის შედეგად მიიღება არა მოსალოდნელი აგებულების არანაჯერი ნახშირწყალბადი — ბორნილენი, არამედ პირველი გვარის კ. გ-ის გამო მისი სტრუქტურული იზომერი— **კამფენი.** *α-პინენიდან ქაფურის* საწარმოო სინთეზიც პირველი გვარის კ. გ-ით მიმდინარეობს.

პირველი გვარის კ. გ. აღმოაჩინა ე. ვაგნერმა (1899). შემდგომში მისი მექანიზმის გამოკვლევაზე მუშაობდა ჰ. მეერვეინი, მეორე გვარის კ. გ. აღმოაჩინა ს. *ნამიოტკინმა* (1927). ამის გამო პირველი გვარის კ. გ-ს ხშირად ვაგნერის ან ვაგნერ-მეერვეინის გადაჯგუფებას უწოდებენ, მეორე გვარისას კი — ნამიოტკინის გადაჯგუფებას.



კამჩატკის ოლქი. პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი. ქალაქის ახალი მიკრორაიონი.

კამჩატკა, ნახევარკუნძული აზიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, სსრკ-ის საზღვრებში. დასით აკრავს ოხოტის ზღვა, აღმ-ით წყნარი ოკ. და ბერინგის ზღვა. გადაჭიმულია ჩრდ.-ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-სამხრ.-დასკენ 1200 *კმ*-ზე, სიგანე 450 *კმ*-მდე. ფართ. 370 ათ. *კმ*². კ-ის აღმ. ნაპირი ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილია (კამჩატკის, კრონოცკის, კარაგის და სხვ. ყურეები). დას. ნაწილი დაბლობია, რ-იც აღმ-ით და ჩრდ-ით ვაკეში გადადის. კ-ის ღერძულ ნაწილში აღმართულია შუა ქედი (სიმაღლე 3621 *მ*-მდე) მოსწორებული ლავური პლატოთი (ცენტრში) და ალპ. რელიეფით. აღმ-ით მდებარეობს ცენტრ. კამჩატკის დაბლობი, რ-ზეც კლიუჩევსკაიის ჯგუფის ვულკანებია (მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მოქმედი ვულკანი კლიუჩევსკაია-სოპკა, 4750 *მ* და სხვ.), კ-ზე 160 ვულკანია, მ. შ. 28 მოქმედი.

კ. ჩამოყალიბდა ალპ. დანაოჭების შედეგად. აგებულია პალეოზოური, მეზოზოური და კაინოზოური ასაკის ქანების გეოსინკლინური კომპლექსებით. ინტრუზიული ქანებიდან გავრცელებულია გრანიტოიდების ჰიპაბისალური მცირე სხეულები, აღმ-ით — ჰიპერბაზიტები.

წიაღისეულიდან აღმოჩენილია ქვანახშირი, პოლიმეტალები, ოქრო, ვერცხლი, სამშენებლო ქვები, ბევრია მინერ. და თერმული (გეიზერები, მდულარე ტბები, ტალახის ვულკანები და სხვ.) წყლები.

ჰავა ზღვის მუსონურია (დას-ით უფრო მკაცრი, ვიდრე აღმ-ით), სამხრ. ნაწილში — ზღვის, ცენტრ. ნაწილში და ჩრდ-ით— ზომიერად კონტინენტური. თებ. საშ. ტემპერა დას-ით —15°C, აღმ-ით —11°C და ცენტრ. ნაწილში —16°C; აგვ., შესაბამისად, 12, 12,5 და 16°C. ნალექები 600-იდან 1100 *მმ*-მდე წელიწადში. თანამედროვე გამყინვარების ფართ. 866 *კმ*². კ-ის უდიდესი მდინარეებია: კამჩატკა, ავაჩა, იჩა. ბევრია ვულკ. ტბა.

გაბატონებულია კორდიან-ეწერი, მდელოს კორდიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები, მდ. კამჩატკის აუზში — ალუვიური ნიადაგები. კ-ის ჩრდ. ნაწილი უტყეოა და ხავსიან ტუნდრას უჭირავს, დანარჩენი რ-ნები მდიდარია მცენარეულობით: ცენტრ. ნაწილში — წიწვოვანი ტყეები (დაურიის ლარიქსი და აიანის ნაძვი), ჭალებში — ალვის ხე, ტირიფი, მურყნის ტყე. გავრცელებულია აგრეთვე ქვის არყისა და თეთრი არყის პარკული ტყეები. დადაბლებებში მაღალბალახეული ხარობს, 1000 *მ* ზემოთ ალპ. მდელო და მთის ტუნდრაა.

ცხოველებიდან აღსანიშნავია: სიასამური, მელა, დათვი, მგელი, წავი, ყარსაღი, თეთრი მელა, ამერ. წაულა, ონდატრა, ციყვი და ჩრდილოეთის ირემი. შიგა წყლები და მიმდებარე ზღვები მდიდარია თევზით.

კ. პირველად აღწერა (1701) ციმბირელმა კაზაკმა ვ. ატლასოვმა. 1737—41 შეისწავლა ს. *კრაშენინიკოვმა.*

ლიტ.: Любимова Е. Л., Камчатка, М., 1961; Пармузин Ю. П., Северо-Восток и Камчатка, М., 1967.

კამჩატკა, მდინარე რსფსრ კამჩატკის ოლქში. სიგრძე 758 *კმ*, აუზის ფართ. 55,9 ათ. *კმ*². ზემოთში მთის მდინარეა, შემდეგ მიედინება კამჩატკის ცენტრ. დაბლობზე და იტოტება. ერთვის წყნარ ოკეანეს კამჩატკის ყურეში. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყალდიდობა იცის მაისიდან სექტემბრამდე. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავიდან 35 *კმ*-ზე 965 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა აპრილ-მაისშია. ზოგან ცხელი წყაროების გამო არ იყინება. იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. სანაოსნოა შესართავიდან 486 *კმ*. კ-ის ნაპირზეა ნავსადგური უსტ-კამჩატსკი.

კამჩატკის დინება, ცივი დინება წყნარი ოკეანის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. იწყება ბერინგის ზღვაში, მიემართება სამხრ-კენ კამჩატკის ნ.-კ-ის ნაპირის გასწვრივ და უერთდება კურილის დინებას. სიგანე 300 *კმ*-ზე მეტი. სიჩქარე 2 *კმ/სთ*. წყლის ტემპერა თებ-ში 1°C-ზე დაბალია, აგვ-ში 10°C-მდე. მარილიანობა 32,5‰-ზე ნაკლები.

კამური თეთრი.

კამჩატკის ოლქი, შედის რსფსრ-ში. შეიქმნა 1932 წ. 20 ოქტ. (დამოუკიდებელ ოლქად გამოიყო 1956 წ. 23 იანვ., მანამდე შედიოდა ხაბაროვსკის მხარეში). ოლქის შემადგენლობაშია *კორიაკთა ავტონომიური ოკრუგი.* ფართ. 472,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 378 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 83%. ცენტრი—პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი. კ. ო-ს უკავია ნ.-კ. კამჩატკა და მისი მიმდებარე კონტინენტის ნაწილი, აგრეთვე *კომანდორის კუნძულები* და *კარაგის კუნძული.*

კ. ო. თევზის რეწვის ერთ-ერთი დიდი რ-ნია სსრკ-ში. მთავარი სარეწაო თევზებია: ქაშაყი, კამბალა, ორაგულისებრნი, ქორჭილა, ვირთევზა, ნავაგა, პალტუსი და სხვ. შექმნილია და ვითარდება სარემონტო-მექან. საწარმოები, ხე-ტყის და საშენ მასალათა მრეწველობა (უმთავრესად ემსახურებიან თევზის მრეწველობას). ილებენ ქვანახშირს და ოქროს. კ. ო-ში აგებულია სსრკ-ში პირველი საცდელ-სამრეწვ. გეოთერმული ელექტროსადგური. არის კარტოფილის და ბოსტნეულის ნათესები. მეცხოველეობა, განსაკუთრებით სამხრ. რ-ნებში, სარძევე მიმართულებისაა. ჩრდ. რ-ნებში მისდევენ მეირმეობას. განვითარებულია აგრეთვე ნადირობა და ნადირთმოშენება. ტრანსპ. ძირითადი სახეობაა — საზღვაო და საჰაერო. კ. ო-ის დიდი ნავსადგურია პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი. სანაოსნოა მდ. კამჩატკა.



კამჩატკის ოლქი. პეტროპავლოვსკ-კამჩატსკის აეროპორტი.

კამჩატკის ყურე, ყურე წყნარ ოკეანეში, კამჩატკის ნ.-კ-ის აღმ. ნაპირთან. ხმელეთში შეჭრილია 74 *კმ*-ზე. სიგანე დაახლ. 148 *კმ*, სიღრმე 2 ათ. *მ*-მდე. მოქცე-

კანა.

ვა არასწორი დღეღამურია, სიმაღლე 2 *მ*-მდე. ნაპირები დაბალია. ყურის ნაპირზეა ნავსადგური უსტ-კამჩატსკი.

კამჩია, მდინარე ბულგარეთში, სიგრძე 245 *კმ*. აუზის ფართ. დაახლ. 5,4 ათ. *კმ*². წარმოიქმნება მდ-ების გოლიამა-კამჩიისა და ლუდა-კამჩიის შეერთებით, რ-თაც სათავე სტარა-პლანინის ქედის აღმ. შტოქედებზე აქვთ. შუაწელსა და ზემოთში მთის მდინარეა, ქვემოთ მიედინება განიერ დაჭაობებულ ხეობაში. ერთვის შავ ზღვას. წყალდიდობა იცის ზამთარში და გაზაფხულზე. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავთან დაახლ. 23 *მ*³/*წმ*, მაქს. — 500 *მ*³/*წმ*.

კანა იონ (ივანე ივანეს ძე) [დ. 15 (28). I. 1902, სოფ. გოიანი, ახლანდ. დუბოსარის რ-ნი], მოლდაველი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1941-იდან. მისი მოთხრობები სამოქალაქო ომსა და მოლდ. სოფლის კოლექტივიზაციას ეძღვნება. ავტორია კრებულებისა: „დნესტრის ნაპირებზე" (1946), „რჩეული მოთხრობები" (1948), რომანისა „დილა დნესტრზე" (1951). მოლდ. სსრ II და III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

კანა (Taurotragus oryx), წყვილჩლიქოსანი ძუძუმწოვარი *ძროხისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 3,5 *მ* აღწევს, სიმაღლე მინდაოში 1,8 *მ*, წონა — 900 *კგ*. რქა გრძელი და ძირში დაგრეხილია. ფერად ღია მორუხო-ყვითელია. კ. გავრცელებულია აღმ. და სამხრ. აფრიკის სავანებში. იკვებება ბალახითა და ფოთლებით. მაკეობა 8½—9 თვე გრძელდება; შობს 1 ხბოს. იყენებენ მის ხორცს, ტყავსა და მსუყე რძეს. კ-ის მოშინაურება ადვილია. სსრკ-შიც აკლიმატიზებულია *ასკანიანოვაში*.

კანაგავა, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ.-აღმ. ნაწილში. ფართ. 2,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 6398 ათ. კაცი(1975), მ. შ. დაახლ. 90% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. იოკოჰამა.

კ. შედის იაპ. უდიდესი ინდუსტრ. რ-ნის კანტოს შემადგენლობაში. მრეწვ. წამყვანი დარგებია: მანქანათმშ. (უმთავრესად გემთმშენებლობა, ავტომშენებლობა და სხვ.) და ელექტროტექ., აგრეთვე ქიმ., მეტალ., კვების მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია: იოკოჰამა, ცურუმი, კავასაკი. სოფ. მეურნ. სპეციალიზებულია ბრინჯის, ხორბლისა და თამბაქოს მოყვანაზე. განვითარებულია მეხილეობა, მებოსტნეობა, მეყვავილეობა, სახორცე-სარძეო მესაქონლეობა, მეფრინველეობა. მიურის ნ.-კ-ის სანაპიროზე არის ზღვის სარეწი. ტურიზმი.


КАМЧАТКИС ОЛЕНИ
156°
168°
64°
52°
ВЕРХНЕЕ-АЛДАНСКОЕ
ЯКУТСКАЯ АССР
ЯКУТСК
ОЛЕКМИНСКИЙ
ВИЛЮЙСКИЙ
ЛЕНСКИЙ
ЛЕНСКОЕ
ЛЕНСКИЙ
ОЛЕНЕКСКИЙ
ТИКСИ
ЛЕНСКИЙ
ЛЕНСКИЙ
ЛЕНСКИЙ

მდინარეთა ქსელი ხშირია. ბევრია დიდი მდინარე (მეკენზი, ფრეიზერი, ნელსონი, სასკაჩეევანი, წმინდა ლავრენტის მდინარე) და ტბა (დიდი ტბები, უინიპეგი, ათაბასკა, მონების დიდი ტბა, დიდი დათვის ტბა).

კონტინენტის ჩრდ. განაპირა და კანადის არქტიკული არქიპელაგის დიდი ნაწილი უჭირავს ტუნდრას ტორფოვან-ლეგბიან ნიადაგზე; მის სამხრ-ით წიწვოვანი ტყეების (თეთრი და შავი ნაძვი, ამერ. ლარიქსი, ბანქსის ფიჭვი, ბალზამის სოჭი და სხვ.) ფართო ზოლია ეწერ, ნაწილობრივ ჭაობის ნიადაგზე; სამხრ.-აღმ-ით წიწვოვან - ფართოფოთლოვანი ტყეებია ეწერ და ტყის ყომრალ ნიადაგზე. ქვეყნის შიგა რ-ნების სამხრ.-დას. ნაწილი უჭირავს ტყესტეპსა და სტეპს. ამ რ-ნების ნოყიერი ტყის ნაცრისფერი, შავმიწა და წაბლა ნიადაგები გამოყენებულია სოფ. მეურნეობაში. ტყის საერთო ფართობი 440 მლნ. ჰა-ზე მეტია (კ-ის ტერიტ. 1/3-ზე მეტი).

კ-ის ტერიტ. განეკუთვნება ნეოარქტიკულ ზოოგეოგრ. ოლქს. კანადის არქტიკული არქიპელაგის კ-ებზე და კონტინენტის ტუნდრის ზონაში ბინადრობს ჩრდილოეთის ირემი, ხარვეზრძი, თეთრი დათვი, თეთრი მელა, ლემინგი, ტაიგასა და ნაწილობრივ ტყეტუნდრაში — ლოსი, ტყის ირემი, ბიზონი, წითელი ციყვი, ქვეყნის აღმ. ნაწილის წიწვოვან-ფართოფოთლოვანი ტყეებისათვის დამახასიათებელია ვირჯინიის ირემი, ირემი უაპიტი, ზაზუნა, კურდღელი, ენოტი, ნაცრისფერი ციყვი, სამხრ. უტყეო რ-ნებში ბინადრობს ირემი, ანტილოპა, ვირთაგვა, თრია, სტეპის ძაღლი, სტეპის ქრცვინი, სტეპის მელა, მაჩვი, კოიოტი, კორდილიერებში — გარეთხა, დათვი გრიზლი, პუმა. მდ-ები და ტბები, აგრეთვე სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, ატლანტის ოკეანეში იჭერენ ვირთევზას, ქაშაყს, პიქშას, კამბალას, კიბორჩხალას, წყნარ ოკეანეში — ორაგულისნაირებს, აგრეთვე პალტუსს, ტბებში — სიგსა და ტბის კალმახს. კ-ში რამდენიმე დიდი ნაკრძალია.

ლიტ.: Антипова А. В., Канада. Природа и естественные ресурсы, М., 1965.

IV. მოსახლეობა

მოსახლ. დაახლ. 2/3 კანადელი ინგლისელები (დაახლ. 9 მლნ. კაცი, 1970, შეფასება) და კანადელი ფრანგები (დაახლ. 6 მლნ. კაცი 1970, შეფასება) არიან. კანადელ ინგლისელთა შემადგენლობაში შედიან ინგლ., ირლ., შოტ., აგრეთვე უელსური, გერმ., ჰოლანდ. და სხვა წარმომავლობის კანადელები. მოსახლ. 1/4 იმიგრანტები (XX ს.) და მათი შთამომავლები არიან. გერმანელები (1050 ათ. კაცი), უკრაინელები (473 ათ. კაცი), იტალიელები (450 ათ. კაცი), ჰოლანდიელები (430 ათ. კაცი), პოლონელები (324 ათ. კაცი), ებრაელები (173 ათ. კაცი), ნორვეგიელები (149 ათ. კაცი), უნგრელები (126 ათ. კაცი), რუსები (119 ათ. კაცი), ჩინელები, იაპონელები და სხვ. ცხოვრობენ ინდიელებიც (240 ათ. კაცი), არქტიკულ სანაპიროზე — ესკიმოსები. რელიგიით კანადელი ფრანგები (აგრეთვე ირლანდ. წარმოშობის კანადელი ინგლისელები) კათოლიკეები არიან. დიდი ნაწილი პროტესტანტებია.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 30%-ზე მეტი დასაქმებულია მომსახურების სფეროში (სახელმწ. აპარატში დასაქმებულთა ჩათვლით), დაახლ. 25% — დამუშავებით მრეწველობაში, 16%-ზე მეტი — ვაჭრობაში, დანარჩენი — სხვა დარგებში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 2,3 კაცი 1 $კმ^2$-ზე (1979). 9/10-ზე მეტი თავმოყრილია შედარებით ვიწრო ზოლში — აშშ-ის საზღვრის გასწვრივ. სიმჭიდროვე განსაკუთრებით მაღალია ოშტოპამის (ოშავა—ტორონტო—ჰამილტონი) კონურბაციაში, კვებეკის პრივ. სამხრ.-აღმ. ნაწილში და ქვემო ფრეიზერის ველზე. სიმჭიდროვე ყველაზე დაბალია (დაახლ. 0,2 კაცი 1 $კმ^2$-ზე) ქვეყნის ჩრდ. რ-ნებში. მოსახლ. 75%-ზე მეტი ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია (მლნ. მცხ., 1979): ტორონტო (2,9), მონრეალი (2,8), ვანკუვერი (1,3).

V. ისტორიული ნარკვევი

კ-ის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან სახლობენ ინდიელები (ალგონკინგები და ათაბასკები) და ესკიმოსები, რ-ებიც XV ს. მიწურულში პირველყოფილი თემური წყობილების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. კ-ის ნაპირებს ევროპელმა ზღვაოსნებმა პირველად 1497 მიაღწიეს ჯოვანი კაბოტოს (ჯონ კაბოტის) ხელმძღვანელობით. XVII ს. დამდეგიდან იწყება კ-ის ფრანგ. კოლონიზაცია, 1608 დაარსებული დასახლება კვებეკი გადაიქცა საფრ. კოლონიის, ე. წ. ახალი საფრანგეთის ცენტრად. ფრანგ. სავაჭრო კომპანიები მდიდრდებოდნენ ინდიელებთან ბეწვეულის მძარცველური ვაჭრობით. ფრანგ. სავაჭრო მონოპ. კომპანიების ხელისუფლება 1663 შეიცვალა საფრ. მეფის უშუალო გამგებლობით. სენიორალური და საეკლ. ფეოდ. მიწათმფლობელობა აფერხებდა ახალი საფრანგეთის სოფ. მეურნ. განვითარებას. XVII ს. II ნახევარში კაპიტალ. ელემენტების გაჩენა-ჩამოყალიბებამ განაპირობა ახ. — კანადელი ფრანგი ერის ფორმირების პროცესის დაწყება. ინგლ.-საფრ. გამწვავებული ბრძოლა ჩრდ. ამერიკაში ბატონობისათვის შვიდწლიანი ომის (1756—63) შემდეგ დასრულდა. მთელ ახალ საფრანგეთს ინგლისი დაეპატრონა. ინგლ. პარლამენტის მიერ მიღებული კვებეკის აქტით (1774) ინგლისმა ახალშეძენილ კოლონიაში (ეწოდა კვებეკი) დატოვა ფეოდ. მიწათმფლობელობა და ეკლესიის უფლება ე. წ. მეათედზე. ჩრდ. ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ომის (1775—83) დროს კ-ში გადასახლდა რევ. მოწინააღმდეგე 40 ათ-მდე ლოიალისტი, რამაც შემდეგდროინდელ ანგლოსაქსურ იმიგრაციასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ახალი—კანადელი ინგლისელი ერის ფორმირებას და კ-ის ორეროვანი შემადგენლობა განაპირობა.

1791 კონსტ. აქტის მიხედვით კვებეკი (ყოფ. ახალი საფრანგეთი) დიდმა ბრიტანეთმა 2 პროვინციად გაყო: ქვემო და ზემო კ-დ. საზღვარი მდ. ოტავაზე გადიოდა. ქვემო კ-ში ჭარბობდა ფრანგულენოვანი მოსახლ., ზემო კ-ში — ინგლისურენოვანი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პროვინციაში შეიქმნა ორპალატიანი პარლამენტი, მთელი ხელისუფლება კვებეკში, ფაქტობრივად, მეტროპოლიის მიერ დანიშნულ გუბერნატორს ეკუთვნოდა. დიდი ბრიტ. მმართველი წრეების მისწრაფება შეენარჩუნებინათ კ-ში მსხვილი მიწათმფლობელობა და ფეოდ. ინ-ტები, კოლონისტების მზარდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ისინი ცდილობდნენ მიწაზე შუასაუკუნეობრივ შეზღუდულობათაგან თავისუფალი ბურჟ. საკუთრების უფლება მოეპოვებინათ. ინგლ.-ამერ. 1812-14 ომის დროს აშშ-ის მხრივ კ-ის დაპყრობის საშიშროებამ ხელი შეუწყო კანადელების ეროვნ. თვითშეგნების ზრდას, რამაც ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალ. განვითარებასთან ერთად განაპირობა ბრძოლა დემოკრ. რეფორმების გასატარებლად და თვითმმართველობის მისაღწევად. რეფორმების მომხრეთა — „პატრიოტთა" — მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ადგილ. ბურჟუაზია. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ბურჟ. დემოკრატები: ქვემო კ-ში — ვექილი ლ. ჟ. პაპინო, ზემო კ-ში — ჟურნალისტი უ. ლ. მეკენზი, ახალ შოტლანდიასა და ნიუ-ბრანსუიკში — ჯ. ჰაუ. 1836—37 ეკონ. კრიზისის დროს მეტროპოლიის მხრივ კოლონისტთა დემოკრ. მოთხოვნების უგულებელყოფის საპასუხოდ 1837 იფეთქა შეიარაღებულმა აჯანყებამ (ქვემო კ-ში — 6 ნოემბ., ზემო კ-ში — 4 დეკ.), მეტროპოლიის რეგულარულმა ჯარებმა სისხლში ჩაახშვეს ანტიინგლ. გამოსვლები, პაპინო და მეკენზი თავიანთ მომხრეებთან ერთად აშშ-ში გადაიხვეწნენ. აჯანყება არ იყო სათანადოდ მომზადებული, არ გაჩნდა მტკიცე ხელმძღვანელობა და მოქმედების ერთიანი გეგმა. დამარცხების მიუხედავად, აჯანყებამ აიძულა მეტროპოლია ძალდატანების უხეშ ფორმებთან ერთად კომპრომისებისა და დათმობის პოლიტიკისათვის მიემართა. კ-ის გენერალ-გუბერნატორის ლორდ ჯ. დარემის 1838 წინადადებით, 1841 მეტროპოლიამ გააერთიანა ორივე პროვინცია (ზემო და ქვემო კ.), ხოლო 1848 კ-ისა და ახალი შოტლანდიის პროვინციებში შეიქმნა ადგილ. პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობები. 1854 გაუქმდა სენიორალური სისტემა, გლეხებს მიეცათ მიწის გამოსყიდვის უფლება, მოისპო შეზღუდვები ვაჭრობაზე. XIX ს. შუა წლებიდან კ-ში კაპიტალიზმი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. სამრეწვ. გადატრიალების დაწყებამ, იმიგრაციის ხარჯზე ევრ. წარმოშობის მოსახლ. სწრაფმა ზრდამ, სამრეწვ. ბურჟ. და პროლეტარიატის აღმოცენებამ დღის წესრიგში დააყენა ჩრდ. ამერიკაში ინგლ. კოლონიების გაერთიანებისა და მეტროპოლიაზე მათი დამოკიდებულების შემდგომი შესუსტების საკითხი. კ-ში შეიქმნა 2 ძირითადი პარტია: კონსერვატიული და ლიბერალური. აშშ-ში სამოქალაქო ომის დამთავრებისა და კანადისადმი ამ სახელმწიფოს მმართველი წრეების განსაკუთრებული დაინტერესების გამო დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა ახ. დათმობაზე წასულიყო. 1867 აქტით შეიქმნა დომინიონის სტატუტის მქონე ფედერაცია, სადაც, გარდა კ-ისა, რ-იც კვებეკად (ქვემო კ.) და ონტარიოდ (ზემო კ.) გაიყო, გაერთიანდა ნიუ-ბრანსუიკი და ახალი შოტლანდია. ამ აქტით კ-ის დომინიონში დამყარდა კონსტ. მონარქია. ინგლ. მეფის ნაცვალი კ-ში იყო გენერალ-გუბერნატორი. იგი ნიშნავდა დომინიონის გაერთ. პარლამენტის ზედა პალატას, ხოლო ქვედა პალატას ფედერაციის მოსახლეობა ირჩევდა. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნოდა მინისტრთა კაბინეტს. პროვინციებმა მიიღეს თვითმმართველობის უფლება. ფედერაციის კომპეტენციაში შედიოდა თავდაცვა, სამხ. საქმე, გადასახადების გაწერა და ა. შ. საგარეო ურთიერთობებს კვლავ მეტროპოლია მართავდა. ზოგიერთი უფლება მიიღეს კანადელმა ფრანგებმაც. ოფიც. ენის უფლება ინგლისურის პარალელურად ფრანგულმაც მოიპოვა, გამოცხადდა სინდისის თავისუფლება. ახალშექმნილ დომინიონში დამკვიდრდა ანგლოსაქსური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ორპარტიული სისტემა. 1867-იდან კ-ში ერთმანეთს ენაცვლებოდა კონსერვატიული და ლიბერალური კაბი-

კანადის სახელმწიფო გერბი.

კანადა

შინაარსი

I. ზოგადი ცნობები 356
II. სახელმწიფო წესწყობილება.....356
III. ბუნება.....356
IV. მოსახლეობა.....357
V. ისტორიული ნარკვევი 357
VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები 358
VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი...358
VIII. შეიარაღებული ძალები 359
IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა 359
X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი 359
XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია..... 360
XII. ლიტერატურა 360
XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება...360
XIV. მუსიკა 360
XV. ბალეტი 360
XVI. დრამატული თეატრი 361
XVII. კინო 361



კანადა. ედმონტონი. ქალაქის ნაწილის ხედი.

კანადა

მოსახლეობა (1970)

კანადელი ინგლისელები	დაახლ. 9 მლნ.
კანადელი ფრანგები	დაახლ. 6 მლნ.
გერმანელები	1050 ათ.
უკრაინელები	473 ათ.
იტალიელები	450 ათ.
ჰოლანდიელები	430 ათ.
პოლონელები	324 ათ.
ებრაელები	173 ათ.
ნორვეგიელები	149 ათ.
უნგრელები	126 ათ.
რუსები	119 ათ.
ინდიელები	240 ათ.

კანადა. აბორიგენთა ხელოვნება. 1. ხის ნიღაბი. ინდიელი ხალხი ჰაიდა. კანადის ეროვნული მუზეუმი. ოტავა. 2. ესკიმოსთა ქანდაკება. ოსტატი შეროპიკი (პუდსონის ყურის აღმ. ნაპირი). „დედა ბავშვით" ქვა. 3. შეროპიკი. „სინდიოფალა". სტეატიტი.

ნეტები. აშშ-ის საპირისპიროდ, დიდი ბრიტანეთი ხელს უწყობდა თავისი პირველი დომინიონის მიწა-წყლის გაფართოებას; კ-ის შემადგენლობაში შევიდა 1870 ჰუდსონის ყურის კომპანიის ვრცელი ტერიტ. დიდი ტბებიდან კლდოვან მთებამდე, 1871 — ბრიტან. კოლუმბია, 1873 — პრინს-ედუარდის კუნძული, 1880 — არქტიკული კუნძულები. კ-ის ტერიტ. ზრდა დასრულდა 1949 ინგლ. სამფლობელოს — ნიუფაუნდლენდის შეერთებით. შემოერთებულ ტერიტორიებზე პროვინციების მოწყობასა და დასავლეთის კოლონიზაციას თან ახლდა ინდიელების განდევნა მშობლიური მიწიდან და მათი თავმოყრა რეზერვაციებში, რასაც მოჰყვა პრერიების მკვიდრთა — ინდიელებისა და მეტისების — აჯანყებები ლ. რილის ხელმძღვანელობით 1869—70 და 1885.

1872 მიწის კანონის გამოქვეყნების შემდეგ, რ-იც საგრძნობლად ზღუდავდა ხელმოკლე მოსახლეობას, განსაკუთრებით სწრაფად დაიწყო დასავლეთის დასახლება კანადელებითა და იმიგრანტებით. მიწის კანონი ფართოდ გამოიყენეს სპეკულაციური მიზნებით სარკინიგზო მაგისტრალებისა და სხვა ბნელი საქმოსნების მიერ ორგანიზებულმა კომპანიებმა და საზ-ბებმა. კ-ში იმპერიალიზმის ეპოქა დადგა, როცა მოხდა საბანკო საქმის ცენტრალიზაცია და აღმოცენდა მონოპოლიები ფოლადსადნობ, საფეიქრო და ცემენტის წარმოებასა და სარკინიგზო ტრანსპორტზე, დაიწყო საბანკო და სამრეწვ. კაპიტალის შერწყმა და შეიქმნა ფინანს. ოლიგარქია. მაგრამ კ-ის მონოპ. კაპიტალიზმი დამოკიდებული იყო ინგლისზე და აშშ-ზე. კ. ცდილობდა ამ 2 დიდი იმპერიალ. სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობები საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. I მსოფლიო ომში კ. ანტანტის მხარეზე მონაწილეობდა. კ-ში ჯერ კიდევ 1872 ივნ. მიიღეს კანონი ტრედუნიონების შესახებ, რის შედეგადაც აშკარა გახდა პროფკავშირების საქმიანობა. 1886 შეიქმნა პროფკავშირების კ-ის კონგრესი. კ-ის სოციალ. პარტიამ (შეიქმნა 1904) ვერ მოახერხა თავისი გავლენის გავრცელება მშრომელთა ფართო ფენებზე და პროფკავშირებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება.

რუსეთში დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ კ-ის მშრომელებმა გააჩაღეს პირველი სოციალ. ქვეყნისადმი სოლიდარობის ფართო კამპანია და გააძლიერეს საგაფიცეო მოძრაობა; 1919 მოეწყო საყოველთაო გაფიცვა უინიპეგში. 1921 დაარსდა *კანადის კომუნისტური პარტია*. I მსოფლიო ომის დროს კ-ის ბურჟ. პოზიციების გაძლიერებამ და კ-ში ამერ. კაპიტალდაბანდებების სწრაფმა ზრდამ შეასუსტა ინგლ. გავლენა დომინიონზე. კ-მ, დიდი ბრიტ. სხვა დომინიონების მსგავსად, პარიზის 1919—20 საზავო კონფერენციებზე დამოუკიდებლად მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულებებს და ერთა ლიგის წევრი გახდა. 1920 კ-მ მიაღწია შეთანხმებას და 1927 უშუალო დიპლ. ურთიერთობა დაამყარა აშშ-თან. კ-ის ხელმძღვანელობით დომინიონებმა 1926 და 1930 საიმპერიო კონფერენციებზე აიძულეს დიდი ბრიტანეთი მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო და 1931 უესტმინსტერის სტატუტით დომინიონებისათვის მიენიჭებინა დამოუკიდებლობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისმა საფუძვლიანად შეარყია კ-ის მეურნეობა, რ-იც საგარეო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული და დომინიონის სამრეწვ. წარმოების დონე განახევრდა. ეკონ. კრიზისით გამოწვეული მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის აღმავლობის საპასუხოდ ქვეყნის მმართველმა წრეებმა რეპრესიები დაატეხეს თავს კ-ის კომპარტიას, რ-იც 1931—36 უკვე არალეგალურად მუშაობდა; კომპარტიის ხელმძღვანელები ტ. ბაკი და სხვ. დაუპატიმრეს და მხოლოდ 1934 გაათავისუფლეს.

1939 წ. 10 სექტ. კ. ჩაება II მსოფლიო ომში დიდი ბრიტ. მხარეზე. 1942 აპრ. პლებისციტის შედეგად კ-ის მთავრობამ მიიღო უფლება საზღვარგარეთ ფრონტზე გაეგზავნა არა მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით გაწვეულები, არამედ მობილიზაციით შექმნილი სამხ. შენაერთებიც. II მსოფლიო ომის დროს კ-ში ჩამოყალიბდა მძლავრი სამხ.-ეკონ. კომპლექსი, განვითარდა მრეწვ. ახ. დარგები — დაზგათმშენებლობა, სინთეზური კაუჩუკის წარმოება და ა. შ. 1939—45 კ-ის სამრეწვ. წარმოება გაიზარდა 2,5-ჯერ. 1940 კვლავ აიკრძალა კ-ის კომპარტია. იგი აღადგინეს ლეგალურ საფუძველზე 1943 მუშათა პროგრ. პარტიის სახელწოდებით (1959-იდან კვლავ კანადის კომუნისტური პარტია ეწოდა). 1942 წ. 12 ივნ. დამყარდა დიპლ. ურთიერთობა კ-სა და სსრკ-ს შორის. 1944 წ. 11 თებ. დაიდო კ.-სსრკ-ის შეთანხმება სამხ. მიწოდებების შესახებ. ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო შესუსტდა ინგლისის გავლენა და გაძლიერდა აშშ-ის გავლენა კ-ზე. 1969-თვის კ-ის მსხვილი სამრეწვ. კომპანიების თითქმის ნახევარს აშშ-ის კაპიტალი ფლობდა ან აკონტროლებდა.

კ-ში მუშათა მოძრაობის შემდგომ აღმავლობას ხელი შეუწყო პროფკავშირული ცენტრების გაერთიანებამ კ-ის ერთიან მუშათა კონგრესში. კ-ში ფართოდ გაშლილი საგაფიცეო მოძრაობა ძირითადად ეკონ. მოთხოვნებით შემოიფარგლებოდა. მმართველი წრეები ომის შემდგომ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ „ცივი ომის" გაჩაღებაში. მათ ხელი შეუწყვეს „მარშალის გეგმის" განხორციელებას და 1949 ნატოს სამხ. ბლოკის შექმნას. 1960-იანი წლებიდან შესამჩნევი გახდა კ-ის მმართველი წრეების (1963-იდან ხელისუფლებას სათავეში ლიბერალები ჩაუდგნენ) შედარებით კონსტრ. მიდგომა საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემისადმი ეროვნ. ინტერესების გათვალისწინებით. პ. ე. ტრიუდოს მთავრობამ (პრემიერ-მინისტრი 1968-იდან, 1974 აგვისტოდან კვლავ შეადგინა მთავრობა) გამოაცხადა გადაწყვეტილება ესწრაფოდეს „პოლიტიკური თვითშენარჩუნებისა" და კ-ის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. პ. ე. ტრიუდოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები ეროვნ. ეკონომიკისა და საგარეო პოლიტ. „კანადიზაციის" მიზნით, ამერ. კაპიტალისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მოძალების შესაკავებლად. მაგრამ ვერ შეძლო რთული ეკონ. და სოც. პრობლემების გადაწყვეტა (უმუშევრობის შემცირება, ინფლაციის ლიკვიდაცია, ფასების ზრდის შეჩერება და ა. შ.). 1979 წ. 22 მაისს გამართულ პარლამენტის არჩევნებში ლიბერალურმა პარტიამ, რ-იც 16 წელი სახელმწიფოს სათავეში იდგა, მარცხი განიცადა. გაიმარჯვა ოპოზიციურმა პროგრესულ-კონსერვატიულმა პარტიამ. პრემიერ-მინისტრი გახდა ჯ. კლარკი. 1980 თებერვ. გამართულ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში კვლავ ლიბერალურმა პარტიამ გაიმარჯვა პ. ე. ტრიუდოს მეთაურობით.

ლიტ.: Бак Т., Избр. произведения, пер. с англ., М., 1972; Мисиэ, Наша борьба за Канаду, пер. с англ., М., 1961; Райерсон С. Б., Основание Канады. Канада с древнейших времен до 1815 г., пер. с англ., М., 1963; Lanctot G., A history of Canada, v. 1—3, Toronto, 1963—65.

VI. პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

ლიბერალური პარტია (The Liberal Party), დაარსდა 1873. გამოხატავს მსხვილი მონოპოლისტური ბურჟ. ინტერესებს. პროგრესულ-კონსერვატიული პარტია (The Progressive Conservative Party), შეიქმნა 1854. გამოხატავს მსხვილი მონოპოლისტური ბურჟ. და შეძლებული ფერმერების ინტერესებს. ახალი დემოკრატიული პარტია (The New Democratic Party), შეიქმნა 1961, ს.-დ. ხასიათის პარტიაა. სოციალური კრედიტის პარტია (The Social Credit Party), შეიქმნა 1935, მემარჯვენე პარტიაა. კანადის კომუნისტური პარტია (The Communist Party of Canada), შეიქმნა 1921. კვებეკის კომუნისტური პარტია შეიქმნა 1965. წარმოადგენს კ-ის კომუნისტური პარტიის ნაწილს. კანადის მუშათა კონგრესი, შეიქმნა 1956 აპრ.; ეროვნული პროფკავშირების კონფედერაცია, შეიქმნა 1921 (1960-მდე ეწოდებოდა „კანადის კათოლიკე მუშათა კონფედერაცია"), კ.-ს სრკ ასოციაცია დაარსდა 1960. *კ. ანთაძე.*

VII. ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება. კ. ინდუსტრ.-აგრ. ქვეყანაა, სადაც კაპიტალიზმმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. სამრეწვ. წარმოების მოცულობით იგი მე-7 ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში (3,2%, 1978), მოსახლ. 1 სულზე ეროვნ. შემოსავლის მოცულობითა და შრომის ნაყოფიერების საშ. დონით კი — ერთ-ერთ პირველ ადგილზე.

კ. კაპიტალ. სამყაროში I ადგილზეა (1978) ნიკელის, თუთიის, ვერცხლის მადნის, კალიუმის მარილების, აზბესტის მოპოვებით, გაზეთის ქაღალდის წარმოებით, II ადგილზე — ოქროს, პლატინის, ნიობიუმის, მოლიბდენის, ურანის მადნის, ბუნებრივი აირის, გოგირდის მოპოვებით, ალუმინის წარმოებით, ხოლო III ადგილზე ტყვიის, კობალტის, მაგნიუმის, კადმიუმისა და ტიტანის მადნის მოპოვებით. კ-ის ეკონომიკაში, განსაკუთრებით სამთომოპოვებით და დამუშავებით მრეწველობაში, დიდ როლს თამაშობს უცხ. (უმთავრესად აშშ-ის) კაპიტალი.

მრეწველობა. სამრეწვ. წარმოების მოცულობა 1969 წ., 1939-თან შედარებით, 6-ჯერ გაიზარდა უმთავრესად სამთომოპოვებითი, ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწვ., აგრეთვე სატრანსპ. მანქანათმშ., შავი და ფერადი მეტალ., ელექტროტექ. და ქიმ. მრეწვ. ხარჯზე.

სამთომოპოვებითი მრეწვ. წარმოების მოცულობით კ. II ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში (აშშ-ის შემდეგ). იგი განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ქვეყნის ჩრდ. და დას. რ-ნებში. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ურანისა და ქვანახშირის მოპოვება.

სათბობ-ენერგეტ. ბალანსში წამყვანია ნავთობი, შემდეგ — ჰიდროენერგია, ბუნებრივი აირი და ქვანახშირი. ელექტროენერგეტ. საფუძველია ჰიდროენერგია. მთავარი ჰესები თავმოყრილია კვებეკის, ონტარიოსა და ბრიტ. კოლუმბიის პროვინციებში. ტორონტოსა და ვანკუვერის რ-ნებში რამდენიმე დიდი თეში და აესია. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1978 წ. 70,3 მლნ. *კვტ* შეადგინა.

დამუშავებითი მრეწვ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. 1/4-ს იძლევა მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით სატრანსპ. მანქანათმშ. (ავტო-, გემთ-, ავია-, ვაგონთ- და ლოკომოტივთმშენებლობა). სხვა დარგებიდან განვითარებულია სას.-სამ. მანქანათმშ., ენერგოძალური მოწყობილობის, სამთომოპოვებითი და ხე-ტყის მრეწვ. მოწყობილობის წარმოება. სატრანსპ. მანქანათმშ. მთავარი ცენტრებია ტორონტო, მონრეალი, უინძორი, ჰამილტონი, ბრანტფორდი, ოშავა, ჰალიფაქსი, ვანკუვერი.

შავი მეტალ. საწარმოები თავმოყრილია ქ-ებში: ჰამილტონში, სუ-სენტ-მარიში, უელენდსა და სიდნიში. აწარმოებენ ალუმინს (არვიდა, კიტიმატი, ბე-კომო, ილმალინი), პოლიმეტალებს (ტრეილი, ვალიფილდი, ბელდიუნ-პუენი), სპილენძსა და ნიკელს (სადბერი, ნორანდა, მონრეალი, პორტ-კოლბორნი, ტომფსონი, ფორტ-სასკაჩევანი).

ნავთობგადასამუშ. ქ-ნების სიმძლავრით კ. ერთ-ერთ I ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში. მთავარი ქ-ნები განლაგებულია მოხმარების მთავარ ცენტრებში (მონრეალი, ვანკუვერი) ან სატრანსპ. კვანძებში (სარნია, ედმონტონი). ქიმ. მრეწვ. მთავარი ცენტრებია სარნია, მონრეალი, ტორონტო, ნიაგარა-ფოლზი, კიჩენერი.

ხე-ტყის დამზადებით, ცელულოზისა და ქაღალდის წარმოებით კ. II ადგილზეა კაპიტალ. სამყაროში (აშშ-ის შემდეგ). განსაკუთრებით განვითარებულია ცელულოზა-ქაღალდის წარმოება, რ-იც თავმოყრილია უმთავრესად აღმ. კ-ში, დიდი ჰესების რ-ნებში. II მსოფლიო ომის შემდეგ ახ. ქ-ნები აშენდა მანიტობის, სასკაჩევანისა და ალბერტის პროვინციებში, განსაკუთრებით შორეულ დასავლეთში, წყნარი ოკ. სანაპიროზე, სადაც ცელულოზა-ქაღალდის წარმოება მჭიდროდაა დაკავშირებული ხე-ტყის ხერხვასთან.

კვების მრეწველობიდან განსაკუთრებით განვითარებულია საფქვავი, ხორცის, თევზსაკონსერვო, ლიქიორ-არაყის წარმოება. უდიდესი წისქვილები განლაგებულია ნავსადგურებში (პორტ-ართური, მონრეალი, ვანკუვერი). საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლისა და სამკერვალო მრეწვ. პროდუქციის დაახლ. ნახევარს მონრეალში აწარმოებენ; სხვა მნიშვნელოვანი ცენტრებია ტორონტო, ვანკუვერი, უინიპეგი. მრეწვ. პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოების შესახებ იხ. ცხრ. 1.

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი საქონლიანობით, მექანიზაციითა და სპეციალიზაციით. სას.-სამ. მიწების დაახლ. 3/4 დიდი კაპიტალ. მეურნეობების ხელშია. მოჰყავთ (ათ. ტ, 1978): ხორბალი — 21368, ქერი — 10295, შვრია —3466, სიმინდი — 3856, ჭვავი — 604, საკვები ბალახი, სელი, რაფსი, თამბაქო, კარტოფილი და სხვ. განვითარებულია მებაღეობა და მებოსტნეობა. მარცვლეული კულტურების მთავარი რ-ნებია ქვეყნის სტეპიანი პროვინციები, განსაკუთრებით სასკაჩევანი და მანიტობა. მებაღეობასა და მებოსტნეობას მისდევენ უმთავრესად ბრიტ. კოლუმბიაში, ან. შოტლანდიასა და ონტარიოში.

II მსოფლიო ომის შემდეგ კ-ის სოფ. მეურნ. სტრუქტურაში ძირეული ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. იგი იძლევა სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის დაახლ. 3/5-ს. 1975 კ-ში იყო (მლნ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 14, ცხვარი — 0,5. სარძეო მეცხოველეობა და მეფრინველეობა განვითარებულია ონტარიოს, კვებეკისა და ბრიტ. კოლუმბიის პროვინციებში, სახორცე-სამატყლე მეცხოველეობა კი ბრიტ. კოლუმბიისა და ალბერტის პროვინციებში.

სატყეო მეურნეობა განსაკუთრებით განვითარებულია ბრიტ. კოლუმბიის, კვებეკისა და ონტარიოს პროვინციებში. კ-ის წილად მოდის მსოფლიოში დამზადებული ხე-ტყის დაახლ. 1/10, მისი დიდი ნაწილი საექსპორტოა. მისდევენ თევზჭერას, განსაკუთრებით ატლანტისპირა პროვინციების წყლებში, უმთავრესად „ნიუფაუნდლენდის მარჩხობებში" და წყნარი ოკ. სანაპირო წყლებსა და მდინარეებში.

ტრანსპორტი. II მსოფლიო ომამდე ტვირთის 90%-ზე მეტი რკინიგზით გადაჰქონდათ. ომის შემდგომ პერიოდში რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა შედარებით შემცირდა საავტ., მილსადენი და საჰაერო ტრანსპ. როლის გაზრდის ხარჯზე. რკინიგზის სიგრძეა 60 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 834 ათ. *კმ*, მ. შ. 692 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია (1978). 1978 ავტოპარკში იყო 11,4 მლნ. ავტომობილი, მ. შ. 9,7 მლნ. — მსუბუქი. დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვ. და სამდ. ტრანსპორტს, აგრეთვე დიდ ტბებზე გამავალ წყლის გზას. საზღვაო-სავაჭრო ფლოტის ტონაჟი 1978 იყო 4,1 მლნ. დედვეიტი ტ. მთავარი ნავსადგურებია ვანკუვერი, სეტ-ილი, მონრეალი, თანდერ-ბეი. დიდია ავიატრანსპ. როლი, განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდ. ნაწილში. მთავარი აეროპორტებია: მონრეალი, ტორონტო, ვანკუვერი, უინიპეგი, ოტავა.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. 1978 ექსპორტმა შეადგინა 52,3 მლრდ. კანად. დოლ., იმპორტმა—48,8 მლრდ. გააქვთ გაზეთის ქაღალდი, ხორბალი, დახერხილი ხეტყე, ნიკელი, ალუმინი, ურანი, ქვანახშირი, ტყვია, აზბესტი, გოგირდი, კალიუმის მარილები და სხვ. შეაქვთ მზა სამრეწვ. ნაწარმი, აგრეთვე ბოქსიტები, ტროპ. ქვეყნების პროდუქტები (ყავა, კაუჩუკი, ბანანი, კაკაო და სხვ.). მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ, იაპონია, გფრ, დიდი ბრიტანეთი, იტალია და სხვ. იზრდება ეკონ. კავშირი სსრკ-სა და სხვ. სოციალ. ქვეყნებთან.

ლიტ.: Антипова А. В., Антонова И. Ф., Канада, М., 1972; Антонова И. Ф., Канада, М., 1974.

VIII. შეიარაღებული ძალები

კ-ის შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების, სამხ.-საჰაერო ძალებისა და სამხ.-საზღვ. ძალებისაგან. უმაღლესი მთავარსარდალია პრემიერ-მინისტრი. უმაღლეს სამხ. ხელმძღვანელობას ახორციელებს თავდაცვის საბჭო, უშუალო ხელმძღვანელია თავდაცვის მინისტრი (თავდაცვის საბჭოს თავრე). არმია კომპლექტდება მოხალისეებით. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობაა (1972) დაახლ. 90 ათ. კაცი (ამათგან 5 ათ-ზე მეტი ნატოს გაერთ. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშია გფრ-ის ტერიტორიაზე). ორგანიზაციულად შეიარაღებული ძალები გაერთიანებულია 7 სარდლობაში (მობილური, ჰაერსაწინააღმ თავდაცვა, სამხ.-საზღვ., სასწავლო, ავიასატრანსპორტო, კავშირგაბმ. და საევროპო). ერთი ცალკე ავიადივიზია ნატოს გაერთ. შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის. არმია შეიარაღებულია როგორც სამამულო, ისე ამერ. და ინგლ. წარმოების თანამედროვე ტექნიკითა და იარაღით. ჰაერსაწინააღმ თავდაცვის სარდლობას ემორჩილება გამანადგურებელი ავიაციის 3 ესკადრილია და საზენიტო მართული რაკეტების 2 ესკადრილია. მობილური, ჰაერსაწინააღმ თავდაცვისა და ავიასატრანსპორტო სარდლობების შემადგენლობაშია დაახლ. 300 თვითმფრინავი. სამხ.-საზღვ. სარდლობას ემორჩილება წყნარი ოკეანისა და ატლანტის ფლოტები და სამხ.-საზღვ. ძალების ავიაცია.

IX. სამედიცინო-სანიტარული მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვა

1975 შობადობა 1000 მცხოვრებზე შეადგენდა 15,7, საერთო სიკვდილიანობა—7,3; ბავშვთა სიკვდილიანობა 1974—15,0 ყოველ 1000 ცოცხლადშობილზე. სიკვდილიანობის მთავარი მიზეზებია გულ-სისხლძარღვთა დაავადებანი, ავთვისებიანი სიმსივნე, პნევმონია; ბავშვთა სიკვდილიანობისა—დღენაკლულობა და განვითარების თანდაყოლილი მანკი. მაღალია სამრეწვ. ტრავმატიზმის დონე. ინფექციური დაავადებანი (ტუბერკულოზი, ათაშანგი, მენინგოკოკური მენინგიტი და სხვ.) განსაკუთრებით გავრცელებულია ინდიელებსა და ესკიმოსებს შორის. XX ს. 50-იანი წლებიდან ჯანდაცვის სერიოზული პრობლემაა ფსიქ. დაავადებები, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ზრდა. 1973 საწოლების ფონდი შეადგენდა 212,6 ათ. (9,7 საწოლი 1000 მცხ.). 1974 მუშაობდა 37,3 ათ. ექიმი (1 ექიმი 600 მცხ.), 8,5 ათ. კბილის ექიმი, 13,3 ათ. ფარმაცევტი, 160 ათ. მედდა. სამედ. კადრებს ამზადებს სხვადასხვა უნ-ტის 16 სამედ. სკოლა. კ-ში 30-მდე ბალნეოლ. კურორტია.

X. განათლება, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

კ-ში არის სახელმწ. და კერძო (ძირითადად კათოლ., პროტესტანტული და სხვ.) სკოლები. სწავლება სავალდებულოა 6-იდან 14—16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის. მაგრამ ადგილ. მოსახლ. (ინდიელების, ესკიმოსების) ბავშვების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სწავლობს სკოლაში. სკოლამდელი დაწესებულებებია კერძო და სახელმწ. საბავშვო ბაღები (1-იდან — 3 წლამდე) და ბაღები (5—6 წლამდე ბავშვებისათვის; 1976 იყო 400 ათ-მდე აღსაზრდელი). კ-ში ისტორიულად ჩამოყალიბდა სწავლების 2 სისტემა: ფრანგ. და ინგლისური. ფრანგ. (ძირითადად კვებეკის პროვინციაში) სისტემაშია 6-წლიანი დაწყ. სკოლა, 5-წლიანი საშ. სკოლა (2+3), რის ბაზაზე მუშაობს ზოგადი და პროფგანათლების კოლეჯები; მათი დამთავრების შემდეგ მოსწავლეები იღებენ ან აკად. განათლებას (2 წელი) და უნ-ტში შესვლის უფლებას, ან პროფმომზადებას (3 წელი); ინგლ. სისტემაშია 6-წლიანი დაწყ. სკოლა, 3-წლიანი უმცროსი საშ. სკოლა და 3-წლიანი უფროსი საშ. სკოლა (6+3+3) ან 8-წლიანი დაწყ. სკოლა და 4-წლიანი საშ. სკოლა (8+4). კ-ის სკოლებში, ისევე როგორც აშშ-ში, მოსწავლეებს ინტელექტუალური ტესტების საფუძველზე ანაწილებენ საშ. სკოლაში—აკად. ან პრაქტ. პროფილით. 1976 ყველა დაწყ. სკოლაში სწავლობდა 4 მლნ-მდე მოსწავლე, საშ. სკოლაში 2 მლნ-მდე. პროფმომზადებას იღებენ საშ. სკოლების პროფგანყ-ებებში, კერძო და სახელმწ. პროფსასწავლებლებში, წარმოებებსა და შეგირდობის ცენტრებში. საშ. სკოლის ბაზაზე მუშაობს 1—3-წლიანი კოლეჯები, რ-ებიც უშვებენ საშ. კვალიფიკაციის სპეციალისტებს. 1976 პროფმომზადების სისტემაში იყო 300 ათ-მდე მოსწავლე. უმაღლესი განათლება (უნ-ტები, კოლეჯები, ტექ. ინ-ტები) ფასიანია. დიდი უნ-ტებია: ტორონტოს, ოტავის, მანიტობის (უინიპეგში), მაკჰილის (მონრეალში), ლავალის (კვე-

ცხრ. 1. — მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება

პროდუქციის სახეობა	1950	1960	1978*
ელექტროენერგია (მლრდ. *კვტ · სთ*)	55	114,5	333
ნავთობი (მლნ. *ტ*)	4	26	72
ბუნებრივი აირი (მლრდ. *მ*³)	2	14,6	98
ქვანახშირი (მლნ. *ტ*)	15	10	33
რკინის მადანი (მლნ. *ტ*)	3	19,5	48
ფოლადი (მლნ. *ტ*)	3,1	5,3	165
თუჯი და ფეროშენადნობები (მლნ. *ტ*)	2,3	4	11,4
სპილენძი** (ათ. *ტ*)	218	378	483
ტყვია** (ათ. *ტ*)	155	144	193
თუთია** (ათ. *ტ*)	185	236	466
ნიკელი** (ათ. *ტ*)	112	195	150
ალუმინი** (ათ. *ტ*)	377	691	1051
კალიუმის მარილები (მლნ. *ტ*)	—	0,04***	6,7
აზბესტი (მლნ. *ტ*)	0,3	1	1,6
გოგირდი (მლნ. *ტ*)	0,1	0,8***	6,9
ნავთობპროდუქტები (მლნ. *ტ*)	13,1	34,7	87,9
ურანი (ათ. *ტ*)	—	11,2	7,4
სინთეზური კაუჩუკი (ათ. *ტ*)	59,4	162,2	249
ქაღალდის მასა (მლნ. *ტ*)	7,6	10,2	18,7
გაზეთის ქაღალდი (მლნ. *ტ*)	4,8	6,1	8,7
დახერხილი ხე-ტყე (მლნ. *მ*³)	9,4	18,5	43,8
ავტომობილი მსუბუქი (ათ. ც.)	284	326	1145
ავტომობილი სატვირთო (ათ. ც.)	106	71	666

* შეფასება. ** გამოდნობა. *** 1959.

კანადა. სენ-ჟოზეფის ეკლესია ლოზანაში (კვებეკი). არქიტ. ტ. ბაიარეე. 1830—32.

კანადა. მონაზონ მარი ემილი პელტიეს პორტრეტი. ა. პლამონდონი. 1841. კერძო კუთვნილება.

ბეკში), ალბერტის (ედმონტონში), სამეფო (კინგსტონში) და სხვ. 1976 სწავლობდა 500 ათ-მდე სტუდენტი.

1916 კ-ში შეიქმნა ეროვნ. სამეცნ.-კვლ. საბჭოს 3 განყ-ბა: ფიზ., ქიმ., და ბიოლ. (შედიოდა მედიცინაც). დიდი სამეცნ.-კვლ. ინ-ტებია: კ-ის აერონავტიკისა და კოსმოსის ინ-ტი, კ-ის სამთო მრეწვ. და მეტალ. ინ-ტი, კ-ის ქიმ. ინ-ტი, უჯრედის კვლევის ბიოლ. ინ-ტი, ცხოველთა კვლევის ინ-ტი, მცენარეთა კვლევის ინ-ტი, აგრეთვე მონრეალის უნ-ტის ექსპერ. მედ. და ქირურგიის ინ-ტი და სხვ. 1958 დაარსდა კ-ის ფილოს. ასოციაცია, რ-იც აერთიანებს ინგლისურ- და ფრანგულენოვან ფილოსოფოსებს. 1922 დაარსდა კ-ის ისტ. ასოციაცია. ეკონ. კვლევის ცენტრებია ტორონტოს, სამეფო (კინგსტონში) და სხვ. უნ-ტები. ეკონ. კვლევის წამყვანი ორგანიზაციაა ეკონ. და აღრიცხვის დეპარტამენტი (1967).

დიდი ბ-კებია: ტორონტოს უნ-ტის (1842; 3,6 მლნ. ტ.), მონრეალის საჯარო (1902; 1 მლნ-მდე ტ.), ოტავის ეროვნ. სამეცნ. (800 ათ-მდე ტ.) და სხვ. მთავარი მუზეუმებია: კ-ის ეროვნ. მუზეუმი (1842) და კ-ის ეროვნ. გალერეა (1880) — ოტავაში, ნატიფი ხელოვნ. მუზეუმი (1860) მონრეალში და სხვ.

XI. ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა, ტელევიზია

1979 კ-ში გამოდიოდა 1500-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი და სხვა პერიოდული გამოცემა. მნიშვნელოვანი გაზეთებია: „ტორონტო სტარი" („Toronto Star", 1892-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 540,5 ათ. ც.), „გლოუბ ენდ მეილი" („Globe and Mail", 1844-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 265,8 ათ. ც.), „გაზეტი" („Gazette", 1778-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 116,2 ათ. ც.); მნიშვნელოვანი ჟურნალებია: „მაკლინზ კანადაზ მეგეზინი" („Maclean's Canada's Magazine", 1905-იდან, ინგლ. და ფრანგ. ენებზე, ტირაჟი 675 ათ. ც.), „უიკენდ მეგეზინი" („Weekend Magazine", 1951-იდან, ინგლ. ენაზე, ტირაჟი 1,7 მლნ. ც.). კ-ის კპ ორგანოებია: გაზ. „კანადიან ტრიბიუნი" („Canadian Tribune", 1940-იდან, ინგლ. ენაზე), ჟურნ. „კომიუნისტ ვიუპოინტი" („Communist Viewpoint", 1959-იდან, ინგლ. ენაზე).

კ-ის ეროვნ. საინფორმაციო სააგენტოა „კანადიან პრესი", დაარსდა 1917 ტორონტოში. 1936-იდან რადიომაუწყებლობასა და ტელეგადაცემებს განაგებს კ-ის რადიომაუწყებლობის კორპორაცია.

XII. ლიტერატურა

კ-ის ხალხთა ლიტ-რა ვითარდება ძირითადად ინგლ. და ფრანგ. ენებზე. ლიტ. ნაწარმოებები გამოდის შოტ., ისლ., უკრ. და ებრ. ენებზეც. კ-ის მკვიდრი მოსახლ.— ინდიელებისა და ესკიმოსების—ფოლკლორი შეკრიბეს და გამოაქვეყნეს XX ს. კანადელმა ინგლისელმა მწერლებმა.

ინგლ. ენაზე ლიტერატურა გაჩნდა XVIII ს. 80-იან წლებში და ძირითადად მიმბაძველური, თანაც რეგიონალისტური ხასიათისა იყო. ქვემო კანადის (კვებეკის) პირველი მწერალი იყო ჯ. რიჩარდსონი (1796—1852). აღსანიშნავია ემიგრანტი პოეტი ა. მაკლაჰლანი (1818—96), მწერლები კ. ტრეილი (1802—99), ს. მუდი (1803—85). ლიტ-რა აღმავლობის გზას დაადგა XIX ს. 60—70-იან წლებში. ახ. დომინიონის პირველი პოეტი იყო ჩ. მეირი (1838—1927). შეიქმნა რომანტიკოსთა ჯგუფი, ე. წ. „კონფედერაციის პოეტები", რ-ის ფუძემდებლის ჩ. რობერტსის (1860—1943) ლექსების კრებულით „ორიონი" (1880) ახ. ეტაპი დაიწყო კ-ის ლიტ-რაში. ღირსშესანიშნავი იყო პოეტი ქალის ი. კროფორდის (1850—87), პოეტ უ. ბ. კარმენის (1861—1929) ბეკერ-ლაჟუა (1824—82). 1845-იდან იბეჭდებოდა ფ. გარნოს (1809—66) „კანადის ისტორია". ისტორიკოსები გახდნენ ლიტ. მოძრაობის ე. წ. პოეტ-რომანტიკოსთა პატრ. სკოლის ლიდერები. მას სათავეში ჩაუდგა ო. ჟ. კრემაზი (1827—79), რ-იც ფრანგულენოვანი კანად. პოეზიის მამამთავრადაა მიჩნეული. ამ მიმდინარეობას მიეკუთვნებოდნენ პოეტები ლ. ფრეშეტი (1839—1908), პ. ლემე (1837—1917) და სხვ. XIX ს. პროზაული ოხზულებები ძირითადად რელიგ. და პატრ. ხასიათისა იყო (ა. ჟერენ-ლაჟუა, ფ. დე გასპე-მამა, 1786—1871).

1895 შეიქმნა ე. წ. მონრეალის სკოლა, რ-ის წარმომადგენლები იყენენ პოეტები შ. ჟილი (1871—1918), გ. დელაე (დ. 1888) და სხვ. აღსანიშნავია პოეტ-პარნასელთა პ. მორენის (დ. 1889), რ. შოპენის (დ. 1885) და სხვ. შემოქმედება. ფრანგ. სიმბოლიზმის გავლენით წერდნენ ფ. ერტელი (დ. 1905), სენ-დენი გარნო (1912—43) და სხვ. II მსოფლიო ომის დროს განვითარდა რეალისტური რომანი (რ. შარბონო, დ. 1911; გ. რუა, დ. 1909; რ. ლემლენი, დ. 1919 და სხვ.). დრამატურგების ჟ. ჟელინის (დ. 1909), პ. ტუპენის, მ. დიუბეს პიესებმა ხელი შეუწყო კ-ის ეროვნ. ფრანგულენოვანი თეატრის შექმნას.

ლიტ.: Ванникова Н. И., Канадская литература на французском языке (1945—1965), М., 1969; Затерянная улица. Современная канадская новелла, М., 1971.

XIII. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება

ევრ. კოლონიზაციის დასაწყისში ინდიელთა საცხოვრებელი იყო მიწურები, ქოხები—ვიგვამები, კარვები, კარკასული სათემო სახლები და სხვ. ხელოვნ. დარგებიდან განვითარებული იყო ხის პოლიქრომული კვეთილობა, ქვის, ძელისა და რქის მოჩუქურთმება და გრავირება, მოხატვა. ესკიმოსები ცხოვრობდნენ თოვლის „იგლუში" ან ხით, ქვითა და ძვლებით აგებულ ნახევრად მიწურ ქოხებში. მისდევდნენ ხეზე, ქვაზე და ძვალზე კვეთას, გრავირებას. XVIII ს.—XIX ს. დასაწყისში საფრანგეთიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ შემოიტანა თავისი ტრადიციები: *ბაროკოს* და *კლასიციზმის* სტილის დამრეცი სახურავით გადახურული მასიურკედლიანი საცხოვრ. სახლები, დარბაზული ეკლესიები, საზ. შენობები, რელიგ. და პორტრეტული ფერწერა. კანადელ ინგლისელთა ნაწილში XVIII ს. II ნახ. — XIX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა კლასიციზმის ხასიათის ხუროთმოძღვრული ტრადიციები, განვითარდა პეიზაჟური გრაფიკა. XIX ს. შუა წლებიდან ქვეყნის დას ნაწილში აღმოცენდა ახ. ქ-ები, რ-თა განაშენიანებამ ეკლექტიკური იერი მიიღო (ოტავა, მონრეალი, ტორონტო, კვებეკი). XIX ს. დასასრ. გაძლიერდა აშშ-ის არქიტ. გავლენა. XX ს-ში აყვავდა ეროვნ. რეალისტური ხელოვნება. მოღვაწეობდნენ მხატვრები ჯ. უ. მორისი, კ. განიონი, ტ. ტომსონი, აგრეთვე „შვიდთა ჯგუფი" (ჯ. მაკდონალდი, ა. ლიზმერი, ა. ჯექსონი); მოქანდაკე ფრენსის ლორინგი და სხვ. XX ს. შუა წლებიდან მიმდინარეობს ძვ. ქ-ების რეკონსტრუქცია. ფართოვდება საცხოვრ. სახლების მშენებლობა. რკინაბეტონისა და ფოლადისაგან აგებენ დიდ სამრეწვ. და საზ. კომპლექსებს (ენესიზ-აილენდის კომბინატი, რატუშა ტორონტოში; 1967 მსოფლიო გამოფენა მონრეალში და სხვ.). სამრეწვ. საწარმოებთან შენდება ახ. თანამედროვე ქ-ები (კიტიმატი, ელიოტ-ლეიკი), მ. შ. პოლარულ ზონაშიც (ინუვიკი). თანამედროვე ხელოვნებაში უპირატესობა ენიჭება მოდერნისტულ მიმდინარეობებს (ფერმწერი ჟ. პ. რიოპელი, მოქანდაკე ლ. არშამბო). რეალისტურ ტრადიციებს მისდევენ ფ. ტეილორი, ტ. მაკდონალდი, მუშათა მხატვრული ლიგის მხატვრები და სხვ. განვითარდა *დიზაინი*. ხალხურ შემოქმედებაში მისდევენ ხეზე კვეთას, ქარგვას და სხვ. გამოყენებითი გრაფიკა ძირითადად აშშ-ის „მასობრივი კულტურის" გავლენით ვითარდება.

ლიტ.: Gowans A. W., Looking at architecture in Canada, Toronto, 1958; Ross M. (ed.), The arts in Canada, [Toronto, 1958].

XIV. მუსიკა

კ-ის მუს. ხელოვნება ისტ. პირობების გამო XVII ს-იდან ინგლ. და ფრანგ. კულტურასთანაა დაკავშირებული. XVIII ს-ში უპირატესად საეკლ. მუსიკა იყო გავრცელებული. საერო მუსიკის განვითარებას ხელი შეუწყო ინგლ. სამხ. სასულე ორკესტრებმა. XIX ს. დასაწყისში იდგმებოდა საოპერო სპექტაკლები მოყვარულთა ძალებით. პირველი კანად. კომპოზიტორები იყვნენ: ფრანგი ჟ. კენელი, ავტორი პირველი კანად. ოპერისა „კოლა და კოლინეტა" (1790, მონრეალი), გერმ. ფ. გლაკემაიერი, ინგლ. ტ. მოლტი. XIX ს-ში კ-ში შეიქმნა მუს. საზ-ბები, გასტროლებს მართავდნენ ცნობილი ევრ. მუსიკოსები, ამერ. საოპერო დასები და ორკესტრები. ამავე პერიოდში დაწინაურდა კანად. კომპოზიტორი კ. ლავალე (პოპულ. პატრ. სიმღერის „ო, კანადას" ავტორი). მსოფლიო სახელი მოიხვეჭა მომღერალმა ე. ალბანიმ, მევიოლინემ კ. პარლომ. თვალსაჩინო მუსიკოსები არიან: კომპოზიტორები— მ. ბლეკბერნი, ა. ლალიბერტე, ფ. მორელი; დირიჟორები — ვ. პელტიე, ჟ. ბოდრი, ა. ბროტი; პიანისტები — ა. გულდი, ა. კუერტი, ი. ჰელერი; მევიოლინე ი. ჰენდელი; მომღერლები — ლ. მარშალი, ტ. სტრატასი, რ. ვერო, ე. ჯონსონი და სხვ. კ-ში არის 8 უმაღლესი მუს. სასწავლებელი (კონსერვატორიები და მუს. აკადემიები), ზოგ ქალაქში მუს. სკოლები და მუს. ფაკულტეტები არის უნ-ტებთან. 1945-იდან მონრეალში ყოველწლიურად ეწყობა მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშ. მუს. ფესტივალები და კონკურსები.

XV. ბალეტი

კ-ის ქორეოგრაფიას საფუძველად დაედო მის ტერიტორიაზე დასახლ. ევრ. წარმო-

შობის მოსახლ. ეროვნ. ცეკვები. XVIII—XIX სს-ში აქ გასტროლებს მართავდნენ აშშ-ის, საფრ. და ავსტრ. ბალეტის მსახიობები. 1938 დაარსდა საბალეტო სკოლა, ინგლ. ბალეტმაისტერის გ. ლოიდისა და მოცეკვავის ბ. ფარალის ხელმძღვანელობით, მის ბაზაზე შეიქმნა პირველი საბალეტო დასი—უინიპეგის ბალეტი (1949-იდან პროფესიული, 1953-იდან — სამეფო). ბალეტის განვითარებას ხელს უწყობდა კ-ის საბალეტო ფესტივალები (1948—54). 1951 ტორონტოში ს. ფრანკის ხელმძღვანელობით შეიქმნა დასი—კ-ის ეროვნ. ბალეტი. მის რეპერტუარშია კლასიკური და თანამედროვე ინგლ. ბალეტები. 1952 მონრეალში დაარსდა დიდი კანად. ბალეტი მოცეკვავე ლ. შირიაევას ხელმძღვანელობით. 1967 კ-ში იყო 4 საბალეტო დასი. წამყვანი მოცეკვავეები არიან ლ. სმითი, დ. ადამსი, ს. ტავერნერი, კ. ენესი და სხვ. არის რამდენიმე საბალეტო სკოლა, მ. შ. უდიდესი—ეროვნ. საბალეტო სკოლა დაარსდა 1959 ტორონტოში.

XVI. დრამატული თეატრი

პირველი თეატრ. წარმოდგენები იდგმებოდა XVII ს. საფრ. პროვინციებში (კვებეკსა და აკადემიაში). 1825 მონრეალში გაიხსნა პირველი მუდმივი თეატრი. XIX ს-ში წარმოდგენებს მართავდნენ ფრანგი, ამერ. და ადგილ. მსახიობები. XIX ს. 80-იანი წლებიდან I მსოფლიო ომამდე მომრავლდა პროფ. მოხეტიალე დასები. XX ს. 40-იან წლებში დიდ ქ-ებში შეიქმნა პროფ. თეატრები, მ. შ. ყველაზე ძველია მონრეალის „რიდო ვერი" (დაარსდა 1949). თეატრების რეპერტუარშია კანად. დრამატურგების რ. დეივისის, მ. დიუბეს, ლ. სინკლერისა და სხვ., აგრეთვე მსოფლიო კლასიკოსთა და უცხ. დრამატურგების პიესები. კ-ის ფრანგ. თეატრებში ისახება ეროვნ. თეატრის განვითარების გზები, ინგლ. თეატრები აშშ-ის თეატრ. ხელოვნ. გავლენას განიცდის. თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები არიან ჯ. კოლიკოსი, ი. ბრინდ'ამური, ფ. ჰაილენდი და სხვ. ყოველწლიურად იმართება დრამ. ხელოვნ. ფესტივალები. 1953-იდან ეწყობა შექსპირის ფესტივალები (სტრეტფორდში). მუშაობს ეროვნ. თეატრ. სკოლა.

XVII. კინო

კ-ში რეგულარული კინოწარმოება დაიწყო 1914. ილებდნენ ძირითადად მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ და სარეკლამო ფილმებს. ეროვნ. კინოხელოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ინგლ. რეჟ. ჯ. გრირსონმა. მისი ხელმძღვანელობით დაიწყეს მუშაობა რეჟისორებმა ს. ლეგამ, ს. ჰოუზმა, რ. სპოტიზვუდმა და სხვ. 1939 შეიქმნა კინოს საკითხების ეროვნ. საბჭო (ოტავა). 1956 მონრეალში (რ-იც კანად. კინოწარმოების ცენტრია) შეიქმნა კინოს ეროვნ. სამმართველო. საუკეთესო ფილმებია: „ოქროს ქალაქი" (1957, რეჟ. კ. ლო), „ცხოვრება რომ გაგრძელდეს" (1963), „ზღვასა და მტკნარ წყალს შორის" (1970, ორივე ფილმის რეჟ. მ. ბრო). კინომოღვაწეთა შორის აღსანიშნავი არიან კ. ჟიუტრა, რ. გარსო, გ. მანრო, კ. პინდალი, ჟ. ლეფებრი და სხვ. კ-ში ყოველწლიურად უშვებენ 700-მდე დოკუმენტურ და სამეცნ.-პოპულ. ფილმს, 30-ზე მეტ მხატვრულ ფილმს ინგლ. და ფრანგ. ენებზე. სტრეტფორდში, მონრეალსა და ვანკუვერში ტარდება საერთაშ. კინოფესტივალები.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 608—609. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი I—II, გვ 464.

კანადა, კ ა ნ ა რ ა (საკ. სახელწ. კ ა ნ ა დ ი გ ა), ხალხი სამხრ. ინდოეთში, მაისურის შტატის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 22 მლნ. კაცი (1970, შეფასება). ენა—კანადა (კანარა), განეკუთვნება *დრავიდულ ენებს*. რელიგია — უმთავრესად ინდუიზმი. ნაწილი ჯაინიზმის და ისლამის მიმდევარია, არიან ქრისტიანებიც (ქ-ებში). მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება (ბრინჯი, ბამბა, შაქრის ლერწამი), მესაქონლეობა, ხელოსნობა (მეთუნეობა, ხეზე კვეთა და სხვ.). მუშაობენ მრეწველობაში, აგრეთვე შაქრისა და ყავის პლანტაციებში.

კანადა, კ ა ნ ა რ ა, ენა, რ-იც განეკუთვნება დრავიდულ ენათა ჯგუფს, გავრცელებულია მაისურის შტატში (სამხრ. ინდოეთი). მასზე ლაპარაკობს 14,5 მლნ-მდე კაცი, 3 მლნ-მდე კაცისათვის კი მეორე ენაა. კ-ის გრამატ. წყობისათვის დამახასიათებელია აგლუტინაცია სუფიქსური სიტყვა- და ფორმაწარმოქმნით. კ-ზე შექმნილია საკმაოდ მდიდარი ლიტ-რა, რ-ის საწყისი IX ს-ით თარიღდება. კ. ენაში შეინიშნება სანსკრიტის ძლიერი გავლენა.

კანადა ლიტერატურა, კ ა ნ ა რ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა, ინდოეთის შტატში—მაისურში მცხოვრები *კანადა* (კანარა) ხალხის ლიტერატურა. დამწერლობის პირველი ნიმუშები კანადა ენაზე მიეკუთვნება V ს. უძველესი ლიტ. ნაწარმოებია პოეტისა და მეცნიერის ნრიპატუნგას (IX ს. დასაწყ.) ტრაქტატი პოეტიკის შესახებ („მეფე-პოეტის გზა", 825). ტრაქტატში მოხსენიებული და ციტირებულია მრავალი მწერალი და მეცნიერი, რ-ებსაც იმოწმებს ან ეკამათება ავტორი. კ. ლ. თავიდანვე განიცდიდა სანსკრ. ლიტ-რის გავლენას. მისი აღმავლობა დაკავშირებულია X ს. პოეტების პამპას, პონას და რანას სახელებთან. XII ს. თვალსაჩინო მწერლები არიან დურგასიმჰა, ნაიასენა და სხვ. მათ მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა ჯაინიზმმა. XII ს-ში დაიწყო სანსკრიტის გავლენისაგან განთავისუფლების ცდა (მწერლები ბასავა, ჰარიჰარა და სხვ.). ამ პერიოდში გავრცელებული იყო ლექსნარევი პროზა, ლირიკულ-ეპიკური პოემა. ბასავამ საფუძველი დაუდო მისტ. პროზის ჟანრს — ვაჩანას (სენტენცია). ამ ჟანრის ნაწარმოებებს ქმნიდა პოეტი ქალი აკა მაჰადევი. XIV—XVI სს. კ. ლ-ის აყვავების ხანაა (პოეტები კუმარა ვიასა, XIV ს.; ტიმანა, XVI ს; კუმარა ვალმიკი, XVI ს.). XV ს-ში პოპულარული იყო ჰარიდასების (ჰარის ანუ ვიშნუს მონების) ანტიფეოდ. მოძრაობის მომხრე პოეტების პურანდარადასისა და კანაკადასის სიმღერები და ჰიმნები (პადები). XVII—XIX სს. კ. ლ-ის დაცემის ხანაა, რასაც ხელი შეუწყო ინდ. კოლონიზაციამ. XIX ს. მიწურულიდან ეროვნ.-განმათ. მოძრაობასთან ერთად კ. ლ. აღმავლობის გზას დაადგა. ვითარდება თანამედროვე ჟანრები: რომანი (შივარამა კარანთა, ა. ნ. კრიშნარაია, ტარა სუ და სხვ.), მოთხრობა (ჰორური, ვ. მ. ჯოში და სხვ.). პოეზიაში ჭარბობს ეროვნ.-პატრ. თემატიკა (ვ. კ. გოკაკი, დ. რ. ბენდრე, დ. ს. კარკი და სხვ).

ლიტ.: Арья Рангачарья, Литература каннада, წგნ.: История индийских литератур, пер. с англ., М., 1964.

გრ. ნახუცრიშვილი.

კანადელები, კანადის თანამედროვე მოსახლეობა. რაოდ. 21,6 მლნ. კაცი (1971, შეფასება). შედგება ორი ერის (კანადელი ფრანგებისა და კანადელი ინგლისელებისაგან), რამდენიმე ეროვნ. ჯგუფისა და ინდიელ-ესკიმოსური ეროვნ. უმცირესობისაგან. კანადელი ფრანგები შეადგენენ კანადის მთელი მოსახლ. დაახლოებით 30% და კვებეკის პროვინციის მოსახლ. 80%-ზე მეტს. კანადელი ერის ბირთვს შეადგენენ ის პირველი ევრ. მოსახლეები (ფრანგები და ბრეტონელები), რ-ებმაც XVII ს. I ნახევარში კანადაში დააარსეს კოლონია — ახალი საფრანგეთი. 1763 დიდმა ბრიტანეთმა ახალი საფრანგეთი თავის კოლონიად აქცია. ბრიტ. კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კანად. ფრანგებმა დაიცვეს თავისი მშობლიური ენა (ფრანგული), რ-იც 1968-იდან კანადის ორენოვანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ოფიც. ენაა. მათ დღემდე აქვთ შემონახული თავისი ეროვნ. კულტურა. კანადელ ფრანგთა უმრავლესობა კათოლიკეა. ბრიტ. კოლონიად გადაქცევის შემდეგ კანადაში გაძლიერდა ემიგრანტთა გადმოსახლება დიდი ბრიტანეთიდან და მისი ამერ. კოლონიებიდან, რის შედეგადაც გაბატონებული მდგომარეობა კანადელმა ინგლისელებმა დაიკავეს. XIX—XX სს. მიჯნაზე კანად. ინგლისელები ერად ჩამოყალიბდა. დღეს ისინი კანადის მოსახლ. დაახლ. 44%-ს შეადგენენ და საკუთარი ეროვნ. კულტურა აქვთ. კანად. ინგლისელების ეთნ. კომპონენტები არიან ინგლისელები, შოტლანდიელები, ირლანდიელები, კონტინენტური ევრ. ქვეყნებიდან გადმოსახლებული და ადგილ. ასიმილირებული მოსახლეობა. კანად. ინგლისელთა ენაა ინგლისური; მორწმუნეთა უმრავლესობა სხვადასხვა მიმართულების პროტესტანტია. კათოლიკობას უმთავრესად ყოფ. ირლანდიელები მისდევენ. 2 ძირითადი ერის გარდა კანადელთა შემადგენლობაში შედიან გერმანელები, უკრაინელები, ინდიელები, ებრაელები, პოლონელები, ჰოლანდიელები და სხვ. უმცირესობას განეკუთვნებიან ინდიელები (240 ათ. კაცზე მეტი) და ესკიმოსები (17 ათ. კაცი). კანადის ისტ., ეკონ., კულტ. შესახებ იხ. სტატია *კანადა*.

კანადა. „ზედა ტბა". „ჩრდილოეთის ნაპირი". ლ. პარისი. 1926. კანადის ეროვნული გალერეა. ოტავა.

კანადის ანტიციკლონი, ჩ რ დ ი ლ ო ე თ ა მ ე რ ი კ ი ს ა ნ ტ ი ც ი კ ლ ო ნ ი, მაღალი წნევის არე ჩრდ. ამერიკის კონტინენტზე, ატმოსფეროს მოქმედების ერთ-ერთი სეზონური ცენტრი. აისახება ზამთრის თვეების წნევათა მრავალწლიური საშუალოების რუკებზე. კ. ა. განპირობებულია კონტინენტის ჩრდ. და ცენტრ. ნაწილებში ზამთრის ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებში ანტიციკლონების სიჭარბით ციკლონებთან შედარებით.

კანადის არქტიკული არქიპელაგი, კუნძულთა ჯგუფი ჩრდ. ამერიკის ჩრდ. სანაპიროსთან. ეკუთვნის კანადას. ფართ. 1300 ათ. *კმ²*. დიდი კ-ებია: *ბაფინის მიწა, ელზმერი, ვიქტორია, ბანქსი, დევონი*. ჩრდ-ით და აღმ-ით არქიპელაგს ესაზღვრება ჩრდ. ყინულოვანი ოკეანე (ბოფორტისა და ლინკოლნის ზღვები, რობსონისა და კენედის სრუტეები, კეინის აუზი, სმითის სრუტე, ბაფინის ზღვა), სამხრ.-აღმ. და სამხრ-ით—ატლანტის ოკეანე (დეივისის, ჰუდსონის სრუტეები და ფოქსის აუზი). კ. ა. ა-ის აღმ. ნაწილი მაღალმთიანია, სანაპირო დანაწევრებულია ფიორდებით, ცენტრ. და სამხრ. ნაწილში პალეოზოური დანალექი ქანებით აგებული დაბალი ჭიუხები, გორაკ-ბორცვიანი ვაკეები და საფეხურებრივი პლატოებია; ჩრდ.-დას. ნაწილში — ფხვიერი ზღვიური ნალექებით აგებული დაბლობი. წიაღისეულიდან უმთავრესია ნავთობი და აირი (კ. მელვილი), რკინის მადანი (ბაფინის მიწა). ჰავა არქტიკულია, მეტად ცივი, აღმ-ით — ნოტიო, დას-ით—მკვეთრად კონტინენტური. იანვრ. საშ. ტემპ-რა —23,—35°C, იულ. —4—7°C. ნალექები 100-იდან 450 *მმ*-მდე წელიწადში. განვითარებულია მარადი მზრალობა. ჩრდ. ნაწილი *არქტიკულ უდაბნოთა ზონაშია* (თანამედროვე გამყინვარების ფართ. 154 ათ. *კმ²*), სამხრ-ით ხავს-მდიერებიანი ტუნდრაა. ცხოველებიდან გვხვდება ჩრდილოეთის ირემი, თეთრი დათვი, პოლარული მელა, ლემინგი, ენდემურია ცხვარ-ძროხა, სანაპირო წყლებში ბინადრობს სელაპი, ვეშაპი, ატლანტიკური მორჟი. მოსახლ. მისდევს ზღვის რეწვას, თევზჭერას, ნადირობას. მთავარი დასახლ. პუნქტებია: ფროუბიშერ-ბეი (საერთაშ. აეროპორტი), კემბრიჯ-ბეი (სავაჭრო ფაქტორია და დიდი აეროდრომი), რეზოლუტი (სამეცნ. ობსერვატორია).

ა. კანანაძე.

კანარის ჩიტი.

კანადის ბანკი (Bank of Canada), სახელმწიფო აქციონერული ცენტრალური სემისიო ბანკი კანადაში. დაარსდა 1934; წარმოადგენს ქვეყნის „ბანკების ბანკს", არეგულირებს კომერც. ბანკების საალრიცხვო პროცენტის დონეს და აუცილებელი რეზერვების ნორმებს. ჰ. ბ. დომინიონისა და პროვინციების მთავრობათა ბანკირია, უზრუნველყოფს მათი ბიუჯეტების საკასო შესრულებას და განაგებს სახელმწიფო ვალებს, ღია ბაზარზე აწარმოებს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს, საერთაშ. საკრედიტო დაწესებულებებში წარმოადგენს კანადას. აზორციელებს გარიგებებს ოქროთი და უცხოური ვალუტით. ბანკს ყველა პროვინციაში აქვს სააგენტო.

კანადის კომუნისტური პარტია (კკპ; The Communist Party of Canada), შეიქმნა 1921 წ. 31 მაისს—1 ივნ. დამფუძნებელ ყრილობაზე გუელფში, როგორც არალეგალური პარტია. 1922 თებ. ყრილობაზე გამოცხადდა ლეგალური კანადის მუშათა პარტიის (კმპ) შექმნა. მთავრობის მიერ 1924 რეაქციული კანონმდებლობის (კრძალავდა მშრომელთა ყველა პროგრ. ორგანიზაციის საქმიანობას) გაუქმების შემდეგ პარტიას ეწოდა კკპ, იმავე წელს პარტია კომინტერნში შევიდა. მსოფლიო ეკონ. კრიზისის (1929-33) დროს კკპ სათავეში ჩაუდგა მშრომელთა მასების მძლავრ მოძრაობას მათი ინტერესების დასაცავად. 1931 დააპატიმრეს კკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრები ტ. ბაკის მეთაურობით. პარტია იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. ლეგალური საქმიანობა კკპ-მ მხოლოდ 1936 განაახლა. პარტია სათავეში ჩაუდგა რესპ. ესპანეთისათვის დახმარების მოძრაობას. კანად. მოხალისეთა ბატალიონი ინტერნაციონალური ბრიგადის შემადგენლობაში იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. II მსოფლიო ომის (1939—45) დაწყების შემდეგ მთავრობამ აკრძალა (1940) კკპ და სხვა პროგრ. ორგანიზაციები. 1943 აგვ-ში კომუნისტების ეროვნ. დამფუძნებელ ყრილობაზე პარტიას ეწოდა მუშათა პროგრ. პარტია (მპპ). პარტიამ თავის მიზნად კანადაში სოციალიზმის აშენება გამოაცხადა. მპპ მოითხოვდა სამხ. წარმოების გაზრდას და ევროპაში მეორე ფრონტის სწრაფად გახსნას. პარტიის XVI ყრილობაზე (1959 ოქტ.) პარტიას კვლავ ეწოდა კკპ. ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა—„გზა სოციალიზმისაკენ კანადაში" და პარტიის წესდება. კკპ XXI ყრილობამ (1971, ნოემბ.) მიიღო პარტიის ახ. პროგრამა. კკპ მონაწილეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, 1969, მოსკოვი) და მოიწონა თათბირის დოკუმენტები.

კკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე. მისი უმაღლესი ორგანოა ეროვნ. ყრილობა, რ-იც ირჩევს ცკ-ს — პარტიის უმაღლეს ორგანოს ყრილობებს შორის. ცკ თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ცენტრალურ აღმასკომს. კკპ გენ. მდივანია უ. კაშტანი. პარტიის ცენტრ. ორგანოა გაზ. „კანადიენ ტრიბიუნი" („Canadian Tribune"), თეორ. ჟურნალი — „კომიუნისტ ვიუპოინტი" („Communist Viewpoint").



ანტონიო კანალეტო. „ქვის მთლელის ეზო". დაახლ. 1730. ეროვნული გალერეა. ლონდონი.

ლიტ.: Бак Т., 30 лет коммунистического движения в Канаде, пер. с англ., М., 1954.

კანადური ბალზამი, ფისოვანი ნივთიერება, რ-საც ღებულობენ კანადური სოჭისაგან (Abies balsamea). გამჭვირვალე, ბლანტი სითხეა, სიმკვრივე 0,998 *გ/სმ*³. იყენებენ სხვადასხვა ოპტ. ხელსაწყოს, მინის ნაწილების შესაწებებლად, აგრეთვე სამიკროსკოპო პრეპარატების დასამზადებლად.

კანალეტო (Canaletto) (ნამდვ. გვარი კანალი, Canal) ჯოვანი ანტონიო (18. X. 1697, ვენეცია, — 20. IV. 1768, იქვე), იტალიელი ფერმწერი, არქიტექტურული პეიზაჟის (ე. წ. ვედუტი) ოსტატი. მუშაობდა უმთავრესად ვენეციაში, აგრეთვე რომში (1719—20). განიცადა ვენეციელი პეიზაჟისტების გავლენა. ხატავდა პეიზაჟ-პანორამებს, უმთავრესად ვენეციის არქიტ. ანსამბლებსა და ძეგლებს. ნახატის დოკუმენტურ სიზუსტეს კარგად უხამებდა ფერადოვანი გამის სიმდიდრეს (სერია „ვედუტები", 1740—44).

კანალიზაცია (ფრანგ. canalisation), საინჟინრო ნაგებობათა, მოწყობილობისა და სანიტარულ ღონისძიებათა კომპლექსი, რ-იც უზრუნველყოფს გაჭუჭყიანებული *ჩამდინარე წყლის* შეგროვებასა და გაყვანას (არინებას) დასახლ. ადგილებისა და სამრეწვ. საწარმოთა ფარგლებს გარეთ, აგრეთვე ამ წყლის გაწმენდასა და გაუვნებლებას მისი უტილიზაციის ან წყალსატევში ჩაშვების მიზნით. კ. ორი სახისაა: შიგა და გარე. შიგა კ-ის დანიშნულებაა ჩამდინარე წყლის მიღება (მისი წარმოქმნის ადგილებში) და მისი გაყვანა შენობიდან გარე *საკანალიზაციო ქსელში*. შიგა კ-ის ელემენტებია: სანიტ. ხელსაწყოები, სარინი მილები, დგარები და შენობიდან გამოსაშვებები. გარე კ., რ-ის დანიშნულებაა ჩამდინარე წყლის გაყვანა დასახლ. ადგილებისა და სამრეწვ. საწარმოთა ფარგლებს გარეთ, მოიცავს მილსადენებს, სატუმბავ სადგურებსა და საწმენდ ნაგებობებს. კ-ის სისტემა გულისხმობს 3 კატეგორიის ჩამდინარე წყლის (საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სანიაღვრო) ერთობლივ ან განცალკევებულ არინებას. უფრო მეტადაა გავრცელებული კ-ის გაერთიანებული და განცალკევებული სისტემები. გაერთიანებული სისტემის დროს (ნახ. 1) სამივე კატეგორიის



ნახ. 1. კანალიზაციის გაერთიანებული სისტემა: 1—კოლექტორი; 2—მთავარი კოლექტორი; 3—ღვარსაშვების კამერა; 4—სატუმბავი სადგური; 5—გამოსაშვებიანი საწმენდი ნაგებობა.

ჩამდინარე წყალი გაჰყავთ დასახლ. ადგილის ფარგლებს გარეთ მილების ერთი საერთო ქსელით. თუ განცალკევებული სისტემაა (ნახ. 2), წვიმისა



ნახ. 2. კანალიზაციის განცალკევებული სისტემა: 1,2—საყოფაცხოვრებო ქსელი; 3.4 სანიაღვრო ქსელი; 5—სატუმბავი სადგური; 6—საწმენდი ნაგებობა.

და პირობით სუფთა საწარმოო წყალი გაჰყავთ მილებისა და არხების ერთი ქსლით, ხოლო საყოფაცხოვრებო და საწარმოო — მეორეთი.

ისტორიული ცნობა. ღარებით, არხებით ან მილებით ჩამდინარე წყლის დასახლ. ადგილების ფარგლებს გარეთ გაყვანა უძველესი დროიდანაა ცნობილი. გათხრების დროს ეგვიპტეში აღმოაჩინეს ძვ. წ. 2500 აგებული საკანალიზაციო არხები. მსგავსი ნაგებობები უფრო ადრე ინდოეთშიც იყო. ძვ. წ. VI ს. რომში ააგეს არხი „კლოაკა მაქსიმა", რ-საც ნაწილობრივ დღესაც იყენებენ. კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში მოსახლ. გაზრდილმა სიმჭიდროვემ ქალაქების სანიტ. მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია, ხოლო ხშირმა ეპიდემიებმა — ჯერ წყალსადენის, შემდეგ კი კ-ის აგების აუცილებლობა. კ-ის ინტენს. მშენებლობა ევროპაში მხოლოდ XIX ს-ში დაიწყო. რევოლუციამდელ რუსეთში კ. გაყვანილი იყო მხოლოდ 18 ქალაქში და ისიც არასრულად. თბილისში კ. ჯერ კიდევ 1874 იყო. 1975 საქ. სსრ 51 ქალაქიდან კ. იყო 21-ში, ჩამდინარე წყალი კი 8 ქალაქსა და 2 რაიონულ ცენტრში იწმინდებოდა. გათვალისწინებულია კ-ის გაყვანა საქ. სსრ ყველა ქალაქში.

ლიტ.: Яковлев С. В., Ласков Ю. М., Канализация, 6 изд., М., 1978.

ა. ზედგინიძე.

კანანაძე ალექსანდრე გიორგის ძე (დ. 1916, ქ. კროპოტკინი), საბჭ. კავშირის გმირი (16. V. 1944), I რანგის კაპიტანი. სკკპ წევრი 1943-იდან. 1937 დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპ. ტექნიკუმი. მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველოში. 1938 გაიწვიეს წითელ არმიაში. 1941 დაამთავრა უმაღლესი სამხ.-საზღვ. სასწავლებელი. ომის წინ შავი ზღვის ფლოტში სატორპედო კატერს მეთაურობდა. 1941 დეკ-იდან ჩაება ბრძოლებში. მონაწილეობდა მისხაკოს, ანაპისა და მარილიანი ტბების სადესანტო ოპერაციებში. თავი გამოიჩინა ტამანისა და ქერჩის ნ.-კ-ების, ნოვოროსიისკის, იალტის, ოდესის, სულინის, კონსტანცის და სხვ. ქ-ების განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, ხოლო სევასტოპოლის განთავისუფლების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ კვლავ სამხ. სამსახურში იყო. ამჟამად თადარიგშია. ცხოვრობს ქ. სევასტოპოლში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კანანგა (ყოფ. ლულუაბურგი, Luluabourg), ქალაქი ზაირის რესპუბლიკაში, დას. კასაის ოლქის ადმ. ცენტრი. 601 ათ. მცხ. (1974). რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. აეროპორტი. მნიშვნელოვანი სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. კვებისა (უმთავრესად ლუდისა და საფქვავი) და პოლიგრ. მრეწვ. საწარმოები. ბამბის წმენდა.

კანარის დინება, ცივი დინება ატლანტის ოკეანის ჩრდ. ნაწილის აღმ-ით. მიედინება ჩრდ-იდან სამხრ-კენ, პირენეს ნ.-კ-ისა და აფრიკის ჩრდ.-დას. ნაპირების გასწვრივ. წარმოადგენს ჩრდილო-ატლანტიკური დინების ტოტს. სამხრ-ით უერთდება ჩრდ. პასატურ დინებას. სიგანე 400—600 *კმ*. სიჩქარე 2 *კმ/სთ*. წყლის ტემპ-რა თებერვალში 12-იდან 23°C-მდე, აგვისტოში 19-იდან 26°C-მდე. მარილიანობა 36,0—36,8‰.

კანარისი (Canaris) ფრიდრიხ ვილჰელმ (1. I. 1887, აპლერბეკი, დორტმუნდის ახლოს, — 9. IV. 1945, ფლოსენბერგის ბანაკი), გერმანელი ფაშისტი სამხედრო მოღვაწე, ადმირალი (1940). გერმანიაში ნოემბრის რევ. (1918) შემდეგ იყო სამხ. მინისტრ გ. ნოსკეს ადიუტანტი. მონაწილეობდა კ. ლიბკნეხტის და რ. ლუქსემბურგის მკვლელობაში, აგრეთვე ე. წ. კაპის პუტჩში (1920). 1935-იდან გერმ. სამხ. სამინისტროსთან, ხოლო 1938-იდან უმაღლეს მთავარსარდლობასთან არსებული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის („აბ-

ვერის") სამმართველოს უფროსი. ავსტრიის (1938), ჩეხოსლოვაკიის (1939) დაპყრობისა და პოლონეთზე თავდასხმის (1939) დროს საერთაშ. სამხ. პროვოკაციებისა და დივერსიების ორგანიზატორი. შექმნა ფართო ჯაშუშურ-დივერსიული ქსელი ევრ. ქვეყნებში, აზიაში, აფრიკასა და ამერიკაში. 1944 თებ. გადააყენეს. ჰიტლერის წინააღმდეგ გენერლების შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და ჩამოახრჩვეს.

კანარის კუნძულები (ესპ. Islas Canarias, სიტყვასიტყვით — ძაღლების კუნძულები), კუნძულთა ჯგუფი ატლანტის ოკეანეში, აფრიკის ჩრდ.-დას. ნაპირიდან 100—120 *კმ*-ზე. ეკუთვნის ესპანეთს. დიდი კ-ებია: გრან-კანარია, ტენერიფე, ფუერტევენტურა. ფართ. 7,3 ათ. *კმ*²; მოსახლ. 1,2 მლნ. კაცი (1973), უმთავრესად ესპანელები, რ-თაც შეერია მკვიდრი მოსახლეობა — გუანჩები. კ. კ. აგებულია ბაზალტებით. ბევრია ჩამქრალი და მოქმედი ვულკანი. ჰავა ტროპიკული, პასატურია; ნალექები 300—500 *მმ* წელიწადში. ვულკანების კალთებზე ტყე და მარადმწვანე ბუჩქნარის რაყებია. ბევრია ენდემური სახეობის მცენარეულობა (დრაკონის ხე, კანარის ფინიკის პალმა, კანარის ფიჭვი). მოჰყავთ ბანანი, მარცვლეული, კარტოფილი, ციტრუსები, თამბაქო, ყურძენი. განვითარებულია მეცხოველეობა, თევზჭერა. კ. კ. მნიშვნელოვანი სატრანზიტო ბაზაა ატლანტის ოკეანეში. დიდი ნავსადგურებია: ლას-პალმასი და სანტა-კრუს-დე-ტენერიფე.

კანარის ჩიტი, კ ა ნ ა რ ე ლ ი (Serinus canaria), მომცრო ტანის ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. გავრცელებულია კანარისა (აქედან სახელწოდება) და აზორის კ-ებზე, მადეირაზე. XVI ს-ში შემოიყვანეს ევროპაში და გავრცელდა როგორც ტიპობრივი „გალიური ფორმა". კარგად მრავლდება ტყვეობაში. გამოყვანილია გალობითა და ექსტერიერით განსხვავებული მრავალი ჯიში. მამალ კ. ჩ-ს მუცლის მხარე ყვითელი აქვს, ზურგის მხარე — მოყვითალო-მომწვანო, დედალს — მომწვანო შეფერილობა. სხეულის სიგრძე 12—14 *სმ* აღწევს. ქართ. ლიტ-რაში კ. ჩ-ს ზოგჯერ შეცდომით იადონს უწოდებდნენ. კ. ჩ-ის ერთ-ერთი ქვესახეობაა კ ა ნ ა რ ი ა ს ე ბ რ ი მ თ ი უ ლ ა (S. c. serinus), რ-იც გავრცელებულია ჩრდ.-დას. აფრიკაში, მცირე აზიაში, არაბეთის ნ.-კ-ზე და ევროპაშმ (ჩრდილოეთის გარდა). სსრკ-ში ბუდობს ევრ. ნაწილის დასავლეთში, ბაღებსა და პარკებში, ბუდეს იკეთებს ხეზე, დებს 3—5 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 13 დღე. იკვებება მარცვლეულით. საქართველოში კ. ჩ-ის შემოფრენის ერთადერთი შემთხვევაა აღნიშნული (1896).

რ. ყორდანია.

კანატია, სოფელი დუშეთის რ-ნში (მაღაროსკარის სოფსაბჭო), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის ხეობაში. ზ. დ. 1400 *მ*, დუშეთიდან 32 *კმ*. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახ. კოლება (მესაქონლეობა). საშ. სკოლა სოფ. მაღაროსკარში (3 *კმ*).

კანაფი (Cannabis), ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარის გვარი კანაფისებრთა ოჯახისა. ცნობილია 3 სახეობა: ჩვეულებრივი კ. (C. sativa), ინდური კ. (C. indica) და ველური კ. (C. ruderalis). ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი კ. ორსახლიანია (მამრობითი და მდედრობითი კ.), ღერო სწორია 0,5-4 *მ* სიმაღლის. ფესვი მთავარღერძიანია, ფოთოლი — დანაკვთული, მწვანე. მამარ. კ-ის ყვავილები საგველა ყვავილედია, მდედრ. კ-ისა — თავაკისებრი. ნაყოფი ერთთესლიანი კაკლუჭაა. კ. იზრდება ჭარბტენიან ნიადაგზე, მოჰყავთ ბოჭკოსათვის (უმეტესად სსრკ-ში, ინდოეთში, დას. ევრ. ქვეყნებში). მამრ. კ-გან და ტექ. სიმწიფის პერიოდის მდედრ. კ-გან ღებულობენ ბოჭკოს (ქერელს), რ-ისგანაც ამზადებენ ქსოვილს. კ-ის სამშობლოა ცენტრ. აზია, მოჰყავთ მრავალ ქვეყანაში; სსრკ-ში-რსფსრ ცენტრ. შავიწყა ზონაში, სამხრ. უკრაინაში, ბელორუსიაში, ვოლგისპირეთში, ჩრდ. კავკასიასა და დას. ციმბირში.

ა. ჯაფარიძე.

კანაფის ასალები კომბინი, კანაფის ასალები, სალეწი და ძნების შესაკვრელი მანქანა. კ. ა. კ. ჭრის და სარეველებისაგან ასუფთავებს კანაფის ღეროებს. სექციური ტრანსპორტიორით გადატანილ ღეროებს მიიტაცებს ნემსოვანი ტრანსპორტიორი და მიაწოდებს საველე ფარის ჭვრიტეს; მომჭერი ტრანსპორტიორი ღეროებს ჭვრიტიდან სალეწ აპარატს აწვდის. გალეწილ ღეროებს ტრანსპორტიორი შესაკრავი აპარატის მაგიდაზე აწყობს. შესაკრავი აპარატი ხეზით კრავს ძნებს და ყრის მინდორზე. ყვავილედებსა და თესლს ჩელხის ტრანსპორტიორი აწვდის სადრესელას, რ-იც ყვავილედიდან თესლებს გამოყოფს და მასას საწმენდ ცხავიან დგანზე ყრის.

გაწმენდილი თესლები ელევატორითა და შნეკით გადაეცემა ბუნკერს, საიდანაც მუშა თესლს ტომრებში გადატვირთავს. კ. ა. კ-ის პირმოდების განია 1,80 *მ*, მწარმოებლურობა — 0,5—0,8 *ჰა/სთ*.

კანაში (1920-მდე შ ი ხ რ ა ნ ი), ქალაქი (1925-იდან) ჩუვაშეთის ასსრ-ში. რკინიგზის სადგური. კ. ჩუვაშეთის სამრეწვ. ცენტრია. ვაგონ- და ავტოსარემონტო, პოლიმერულ მასალათა და სხვა ქ-ნები, კვების მრეწვ. საწარმოები, სამკერვალო, სათელი, ავეჯის ფ-კები. საფინანსო და სალამოს რკინიგზის ტრანსპ. ტექნიკუმები, პედ. და სამედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქალაქი დაარსდა XIX ს. 90-იან წლებში.

კანაძავა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს დას. ნაწილში. ისიკავის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 395 ათ. მცხ. (1975). ჰოკურიკუს ეკონ. რ-ნის ცენტრი. სამრეწვ. კვანძი. განვითარებულია საფეიქრო (ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები) და კვების მრეწვ., საფეიქრო და სას.-სამ. მანქანათმშენებლობა. ველოსიპედების ქ-ნა. ამზადებენ ფაიფურ-ქაშანურისა და გალაქულ ნაკეთობებს, თევზსაჭერ ბადეებს. კ-ში არის სახელმწ. ნაკრძალი.

კანბერა (Canberra), ავსტრალიის კავშირის დედაქალაქი, ქვეყნის მნიშვნელოვანი ადმ., კულტ. და სამეცნ. ცენტრი. ავსტრალ. პარლამენტისა და მთავრობის რეზიდენცია 1927-იდან. მდებარეობს სამხრ.-აღმ. ავსტრალიაში, ბორცვიან ვაკეზე, 500—600 *მ* სიმაღლეზე. ჰავა სუბტროპ. კონტინენტურია. იან. საშ. ტემპ-რა 5,9°C, იანვრისა 20,7°C. ნალექები 620 *მმ* წელიწადში. გარეუბნებთან ერთად ქმნის დამოუკიდებელ ადმ. ერთეულს — დედაქალაქის ტერიტორიას. 228 ათ. მცხ. (1977). რკინიგზით უკავშირდება სიდნეისა და მელბურნს, არის საავტ. გზებისა და ავიამიმოსვლის კვანძი. ქალაქის მახლობლად აეროდრომია. კ-ში არის კვებისა და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები, მიდამოებში — სას.-სამ. ფერმები, რ-ებიც ქალაქს აწვდიან ხორცს, რძეს, ხილს, ბოსტნეულს. განვითარებულია ტურიზმი.

1908—09 ავსტრალ. პარლამენტის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ფედერალური დედაქალაქის — კ-ის ასაშენებელი ადგილი. მშენებლობა დაიწყო 1913 არქიტ. უ. ბ. გრიფინის (აშშ) პროექტის მიხედვით, რ-მაც 1911—12 ავსტრალ. მთავრობის მიერ გამოცხადებულ საერთაშ. კონკურსში გაიმარჯვა. კ. ბერლი-გრიფინის ტბის ნაპირზე გაშენებული ქალაქ-ბაღია. დაყოფილია ზონებად (სავაჭრო, სასწ. და სხვ.). ქალაქის გეგმას საფუძვლად უდევს მოედნების სისტემა (სავაჭრო ცენტრებით), რ-თა ირგვლივ რადიალურად და წრიულად განლაგებულია ქუჩები. რ-ნები გამოყოფილია პარკებით და ერთმანეთს ავტოსტრადების ქსელითა და ხიდებით უკავშირდება. კ-ში აკრძალულია 10—11-სართულიანზე მაღალი შენობის აგება. შენობები ნეოკლასიციზტური სტილისაა. კ-ში არის პარლამენტის შენობა (1927), ავსტრალ. ეროვნ. უნ-ტი (1952, თანამედროვე სტილი, არქიტ. ბ. ბ. ლუისი), ეროვნ. ბ-კა, ასტრონ. ობსერვატორია (კ-ის მახლობლად, მთა მაუნტ-სტრომლოზე), იპოდრომები. კულტ. ცენტრი (ორდარბაზიანი), რამდენიმე თვითმოქმედი თეატრ. დასი, საკონცერტო დარბაზი „ალბერტ ჰოლი".

ჩვეულებრივი კანაფი: 1— მამრობითი მცენარის ზედა ნაწილი; 2—მამრობითი ყვავილი.

ჩვეულებრივი კანაფი: 3— მდედრობითი მცენარის ზედა ნაწილი; 4—მდედრობითი ყვავილი;

კან ბაამ ჩანი (948—1031), კორეელი მხედართმთავარი, კიდანი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი XI ს-ში. 1010, როცა კიდანებმა მიიტაცეს კორიოს დედაქალაქი კეგიონი (კესონი), კ. ბ.ჩ-მა დარაზმა ხალხი და განდევნა დამპყრობლები. 1018, კიდანების ხელმეორედ თავდასხმის დროს, წინასწარ მოამზადა კორეის ჯარები თავდაცვისათვის და ქ. კუჯუსთან გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა მტერი. კიდანების 100-ათასიანი ჯარიდან გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ათ. კაცი.

კანგარი, ისტ. ქვემო ქართლის (*გოგარენეს*) უკიდურესი სამხრეთი მხარე. მოიცავდა მდ. დებედის (ქურდვაჭრისხევის) სათავეებში მდებარე ტერიტორიას (სომხ. სსრ). კ-ის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო დაბა გოგარანი (ახლანდ. გუგარქი). V ს. 80-იან წლებში მეფე ვახტანგ გორგასალი ქართლის ლაშქრით აქ შეხვდა მსხვილ სომეხ ნახარარს (ფეოდალს) ვაჰან მამიკონიანს, სპარსელებთან ერთობლივი ბრძოლის წინ.

დ. მუსხელიშვილი.

კანგე, ქალაქი ჩრდ. კორეაში, კორეის სდრ-ში, მდ. ტოკნოგანის ნაპირზე. ჩაგანდოს პროვ. ადმ. ცენტრი. 130 ათ. მცხ. (1962). სატრანსპ. კვანძი. ხე-ტყის ხერხვა და ხის დამუშავება, მანქანათმშენებლობა. კ-ს მახლობლად არის გრაფიტის, ქვანახშირის, სპილენძის და სხვ. საბადოები. ჰესი.

კანგიუს კულტურა, ძვ. წ. IV ს. — ახ. წ. I ს. ხვარაზმის არქეოლოგიური კულტურა. განეკუთვნება კლასობრივი საზოგადოების პერიოდს. მეურნეობის საფუძველი იყო სარწყავი მიწათმოქმედება, მაღალ განვითარებას მიაღწია კერამ. წარმოებამ. ჭურჭელი დაფარულია წითელი ანგობით ან მოხატულია. გამოირჩევა ფორმის სრულყოფით. აღმოჩენილია ტერაკოტული ქანდაკებები. ძვ. წ. II ს. დასასრ.—ახ. წ. I ს-ში მეზობელი ველის ტომების კულტ. გავლენით კერამიკის ხარისხი გაუარესდა. მშენებლობაში გამოყენებულია ალიზი. გადახურვა თაღოვანია. დამწერლობა არამეული ანბანის საფუძველზეა შექმნილი. რელიგია ახლოს დგას ავესტის წრის კულტებთან. დამახასიათებელი ძეგლებია ყოი-ყირილგანყალა, ჯანბასყალა.

ლიტ.: Т о л с т о в С. П., По древним дельтам Окса и Яксарта, М., 1962.

კანგრა, ინდური ჩაის ჯიში-პოპულაცია. გამოყვანილია ჩინ. და ინდ. ჩაის შეჯვარებით. სამშობლოა ჩრდ. ინდოეთი (ჰიმალაის მთების სამხრ. კალთები, კანგრის ოლქი). კ-ს ოვალური ფოთოლი აქვს, რ-იც მოკლე, ბლაგვი და ორად გაყოფილი წვერით ბოლოვდება. საქართვ. შავი ზღვის სანაპიროზე, განსაკუთრებით ჩაქვში, გაშენებულია კ-ის პლანტაციები, საიდანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ჩაის პროდუქციას.

ნ. გიორგბერიძე.

კანდალაქშა, ქალაქი (1938-იდან) რსფსრ მურმანსკის ოლქში. ნავსადგური თეთრ ზღვაზე, მდ. ნივის შესართავთან. რკინიგზის სადგური მურმანსკ—ლენინგრ. ხაზზე. ალუმინის, მექან., ავტოსარემონტო და თევზსაკონსერვო ქ-ნები, სატყეო კომბინატი, რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოები, ჰესი. კ. ცნობილია XI ს-იდან.

კანდალაქშის ყურე, ყურე თეთრ ზღვაში, კანდალაქშისა და კარელიის ნაპირებს შორის. სიგრძე 185 *კმ*, სიგანე შესასვლელში 67 *კმ*. იყოფა დას. (წყალმარჩხ, სილრმე

ა. ი. კანდელაკი.

ვ. ლ. კანდელაკი.

ვლ. ა. კანდელაკი.

ი. კანდელაკი.

40 *მ*-მდე) და აღმ. (ღრმაწყლიან, სიღრმე 330 *მ*-მდე) ნაწილებად. ნაპირები კლდოვანი და დანაწევრებულია. ბევრია პატარა კუნძული და წყალქვეშა კლდე. კ. ᲨᲘ-ს ერთვის მდ-ები ნივა და კოვდა. ზაფხულში წყლის ტემპ-რა ზედაპირზე 18,5°C-მდეა, ზამთარში 1,0-იდან 1,5°C-მდე. ნოემბრიდან მაისამდე კ. ᲨᲘ-ის დიდი ნაწილი ყინულითაა დაფარული. მარილიანობა ზამთარში 27—29‰, ზაფხულში 0-იდან 20—25‰-მდე. მოქცევა ნახევარდღეღამური, სიმაღლე 2,2 *მ*-მდე. თევზჭერა. მთავარი ნავსადგურებია: კანდალაქში, კოვდა, უმბა.

კანდელა (ლათ. candela—სანთელი), სინათლის ძალის ერთეული *ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში*. ქართ. აღნიშნავა: *კდ*, საერთაშ. — cd. კ. არის იმ სინათლის ძალა, რ-საც ასხივებს სრული გამომსხივრის განივკვეთის 1/600000 *მ*² ფართობი ამ განივკვეთის პერპენდიკულარული მიმართულებით, გამომსხივრის ისეთ ტემპ-რაზე, რ-იც პლატინის გამყარების ტემპ-რის (2042 K) ტოლია 101325 *ნ/მ*² წნევის დროს. ადრე იᲬენებდნენ სახელწოდებას *სანთელი*.

კანდელაკი, იხ. *მნათე*.

კანდელაკი ალექსანდრე ეპიფანეს ძე [17(29)IV. 1885, ქუთაისი,—14. VII. 1966, თბილისი], ქართველი სᲐᲑᲭ. თერაპევტი, საქ. სსრ დამს. ექიმი. 1912, მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა პეტერბურგში ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში. I მსოფლიო ომის დროს განაგებდა პეტროგ. ჰოსპიტლის თერაპიულ განყ-ბას. 1922—66 თბილისში ხელმძღვანელობდა ქალაქის I საავადმყოფოს თერაპიულ განყ-ბას. კ. იყო საქართველოში საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: გ ა მ ცᲔ მ ლ ი ძ ე მ., ლ ᲐᲑ ა ძ ე რ., ალექსანდრე კანდელაკი, თბ., 1972.

კანდელაკი ალექსანდრე (სანდრო) იოსების ძე (1892, სოფ. ნიᲩᲑისი, ახლანდ. მცხეთის რ-ნი, — 1959, მცხეთა), ქართველი ფალავანი. ყმაწვილობაში მოჯამაგირედ იყო, შემდეგ მებორნედ მდ. ქსანზე. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ მცხეთაში მუშაობდა რკინიგზაზე, ზამთრობით კი თბილისში ჩამოდიოდა და ცირკში გამართულ Ჭიდაობაში მონაწილეობდა. ხალხმა მას „ქართველი გოლიათი" უწოდა. თბილისში, ესიკოვსკის ცირკში, რეგულარული Ჭიდაობა 1921-იდან დაიწყო. კ-ს ბევრი ცნობილი მოᲭიდავე (თ. კოჟემიაკინი, ი. ზაიკინი, პ. ზაგორუიკო და სხვ.) ᲰᲒავს დამარცხებული. რამდენჯერმე შეხვდა რუს. უძლიერეს მოᲭიდავეს ი. პოდდუბნის; მათი შეხვედრები თითქმის ყოველთვის ფრედ მთავრდებოდა. 1921—30 კ. უფრო კლასიკურ Ჭიდაობას მისდევდა და, თუმცა კლასიკური Ჭიდაობის ილეთები საგანგებოდ არ ᲰᲭონდა შესწავლილი, დიდი ღონის წყალობით მაინც იმარჯვებდა. გადაღებულია ქართულ ფილმებში. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით. 1976 მცხეთაში გაიხსნა კ-ის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

ლიტ.: ბ ა რ ნ ო ვ ი ა., Ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ., 1967; გ ᲔᲒ ᲔᲜ ᲐᲕ Ა დ., ორი ფალავანი, თბ., 1967.

კანდელაკი ბიძინა სიმონის ძე [7. III (20. III). 1902, ქუთაისი, — 22. V. 1970, თბილისი], ქართველი სᲐᲑᲭ. ქიმიკოსი, ქიმ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1930), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). სკკპ წევრი 1948-იდან. 1935-იდან ᲫᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ფიზ. და კოლოიდური ქიმ. კათედრას. 1936—39 იყო პ. მელიქიშვილის სახ. ქიმ. ინ-ტის დირექტორი. მნიშვნელოვანი შრომები აქვს ტექსოტროპული გელების სტრუქტურისა და თვისებების შესახებ, შექმნა ლაბების ორიგინ. კლასიფიკაცია და სხვ.; დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

კანდელაკი ვალერიან ანტონის ძე [22. VIII (3. IX). 1881, სოფ. გამოᲩინებული, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 4. III. 1944, თბილისი], ქართველი საბᲭᲝთა მეღვინე. კ-მა შექმნა სუფრის სამარკო ღვინოები: „მანავის მწვანე", „ყვარელი № 50", შემაგრებული ღვინოები „სალხინო", „კარდანახი", „საამო", „ანაგა" და სხვ. მან პირველმა დაამზადა კაპორის ტიპის ღვინო საფერავის ყურძნისაგან, დანერგა პასტერიზებული ყურძნის წვნის წარმოება. კ. არის ვაზის ჯიშის „ხიხვის" აღდგენის ინიციატორი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით; მანავის საᲑᲭ. მეურნეობას მინიᲭებული აქვს მისი სახელი.

კანდელაკი ვალერიან ლაზარეს ძე (დ. 19. VII. 1918, სოფ. სუფსა, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი), ქართველი სᲐᲑᲭ. დრამატურგი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1946-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1940). მისი პირველი პიესა „ბაბუა თევდორე" 1944 დაიდგა, პირველი წიგნი „ამაღლებული სოფელი" 1952 გამოᲥᲔᲧᲓᲐ. 50-იანი წლებიდან იდგმება კ-ის პიესები „სარეველა" (1953), „მაია წყნეთელი" (1955), „ქართლის ჩირაღდნები" (1960), „ნაკრძალში" (1966), „დრო — 24 საათი" (1970), „გრძელი დღე" (1974), „აეტი" (1975) და სხვ. ავტორია კინოსცენარისა „მაია წყნეთელი" (1959), სატელევიზიო პიესებისა „მოლოდინი" (1967) და „იხატებოდა სურათი" (1968). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თᲑᲬ.: მაია წყნეთელი, თბ., 1956; სამი პიესა, თბ , 1966; დონ კიხოტი საქართველოში. აეტი, თბ., 1975.

კანდელაკი ელადიმერ არკადის ძე [დ. 16 (29). III. 1908, თბილისი,], ქართველი სᲐᲑᲭ. მომღერალი (ბანი-ბარიტონი) და რეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1970). სკკპ წევრი 1952-იდან. 1928 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია, 1933 თეატრ. ხელოვნ. სახელმწ. ინ-ტი (მოსკოვი), 1929-იდან იყო ვ. ნემიროვიჩ-დანᲩენკოს სახ. მუს. თეატრის (1941-იდან ნემიროვიჩ-დანᲩენკოსა და სტანისლავსკის სახ. მუს. თეატრი) სოლისტი. პარალელურად (1954—64) მოსკ. ოპერეტის თეატრის მსახიობი და მთავარი რეჟისორი. კ-მა შექმნა კომედიური და დრამ. სახეები: სტეფანი (ოფენბახის „ბოშათა ბარონი"), ოლენდორფი (მილეკერის „ღარიბი სტუდენტი"), საქო (დოლიძის „ქეთო და კოტე"), სულთან-ბეგი (ᲰᲐᲯᲘᲑᲔᲘᲚᲘᲡᲘᲡ „არშინმალ-ალანი"), სალიერი (რიმსკი-კორსაკოვის „მოცარტი და სალიერი"), ტარასი (კაბალევსკის „ტარასის ოჯახი", სსრკ სახელმწ. პრემია, 1952), მაგარა (სლონიმსკის „ვირინეა") და სხვ. 1943-იდან მოღვაწეობს როგორც რეჟისორი. გადაღებულია კინოში.

კანდელაკი ირაკლი ისაკის ძე (27. IX. 1901, თელავი, — 22. VII. 1970, თბილისი), ქართველი სᲐᲑᲭ. კინორეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი. 1932 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია ვოკალის განᲬრით. 1946-იდან დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში მუშაობდა რეჟისორად ფილმებზე: „ნახევარი საუკუნე" (1946), „შემოდგომა საქართველოში" (1947), „სამᲬრეთ ოსეთი" (1951), „სამგორი" (1951), „ამბავი სოფელ ნატანებისა" (1952), „სოფლის მეურნეობის გამოფენა" (1954), „უᲬვი მოსაველის ოსტატი" (1955), „მᲬიანი საქართველო" (1957), „უძველესი ქალაქის გაზაფᲬული" (1958), „მიᲬᲦევათა წლები" (1959), „მᲭკვრის კვალდაკვალ" (1959), „ჩაძირული ქალაქის საუნᲯᲔᲜი" („დიოსკურია", 1963), „იᲬᲘრის საერთაშორისო გამოფენა" (1965), „მოგზაურობა წარსულში" (1965), „თეირანის შთაბეᲭდილებები" (1968), „შირაზი, ისპაᲰანი, პერსეპოლი" (1968).

კანდელაკი მემნონ დავითის ძე [16. IV (29. IV). 1897, სოფ. ნაბოსლევი, ახლანდ. ტყიბულის რ-ნი, — 22. IV. 1972, თბილისი], ქართველი სᲐᲑᲭ. თერაპევტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1943), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1950-იდან. 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1930 მუშაობა დაიწყო თბილ. სამედ. ინ-ტში, სადაც 1943—54 განაგებდა ინფექციურ სნეულებათა კათედრას, 1954—57—შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრას, ხოლო 1957—72 — საფაკულტატო თერაპიის კათედრას. კ. შეისწავლიდა სამხარეო პათოლოგიას, ახ. სამკურნ. პრეპარატების მოქმედებას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა კლინიკას, მკურნალობას და სხვ.

თᲑᲬ.: ღვიძლის ციროზების კომპლექსური თერაპია, თბ., 1960; Материалы к фармакологической характеристике периплоцина, Сборник трудов Тбилисского химикофармацевтического н.-и. ин-та, Тб., 1941.

კანდელაკი ნიკოლოზ ილიას ძე (9. VII. 1907, სოფ. ბახვი, ახლანდ. მახარაძის რ-ნი,—25. V. 1965, თბილისი), ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962). კ-ის ძირითადი ნაᲬრომებია: „ქართული მᲭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები" (1958), „ქართული კლასიკური მᲭევრმეტყველება" (1961), „ქართული მᲭევრმეტყველება. I—ქართველი ორატორები" (1975) და სხვ.

კანდელაკი ნიკოლოზ პორფირეს ძე [5 (17). X. 1889, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი,—24. VIII. 1970, თბილისი], ქართველი სᲐᲑᲭ. მოქანდაკე, თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქ. სსრ სახ. მᲮატვარი (1957). პეტერბ. ფსიქონევროლოგიურ ინ-ტში სწავლის პერიოდში დ. კაკაბაძის დახმარებით მეცადინეობდა მᲮატვარ ლ. დმიტრიევ-კავკაᲖᲘსკის სახელოსნოში. ქანდაკების დარგში მუშაობა გვიან დაიწყო. 1922—25 სწავლობდა ლენინგრ. სამᲮატვრო აკადემიაში ა. მატვეევის ხელმძღვანელობით. 1926 საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ᲩაᲔბა რესპუბლიკის კულტ. ცხოვრებაში. იმავე წელს თბილ. სამᲮატვრო აკადემიაში მიიწვიეს (1944-იდან პროფესორი). კ. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობდა პორტრეტის დარგში. მან შექმნა ქართვ. მწერალთა, მეცნიერთა, მᲮატვართა, მსახიობთა, სამᲮ. და სახელმწ. მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა. კ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ხაზგასმული პლასტიკურობა, თავშეკავებული დინამიკა, ძლიერი და განზოგადებული ფორმა, მოცულობის შესანიშნავი გრძნობა, სადა, ნათელი კომპოზიციები, მატერიალურობა, დიდ მნიშვნელობას ანიᲭებდა ნახატს, ფორმის პლასტიკურობას იყენებდა თემის შინაგანი ხასიათის გახსნისათვის. ადრინდ. პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ლ. გუდიაშვილის პორტრეტი (პირველი ვარიანტი 1934; ბოლო 1935, ქვა, საქ. სსრ ხელოვნ. მუᲖეუმი), კომპოზიციურად რთული, დინამიკური, ცოცხალი და მეტყველი, შინაგანი დრამატიზმით აღსავსე. შემდეგ ნამუშევრებში კ. გაურᲑᲝდა ასეთი მკვეთრი მოძრაობის გადმოცემას. საინტერესოდ გადაწყვიტა სსრკ სახ. არტისტის ა. ხორავას პორტრეტი (1948, ბრინჯაო, საქ. სსრ ხელოვნ. მუᲖეუმი), რომლისთვისაც დამახასიათებელია მონუმენტურობა, დიდი შინაგანი ძალა. ასევე დიდი პლასტ. და ფსიქოლ. ძალით განასახიერა იმერელი მაღარიელის (1938, ბრინჯაო), ა. კვანტალიანის (1955, ბრინჯაო), ᲰᲣᲒᲝ ᲰᲣᲞᲔᲠᲢᲘᲡ (1953, ბრინჯაო), ნ. მუსხელიშვილის (1954, ბრინჯაო), ა. შანიძის (1952, თაბაშირი), შ. დადიანის (1941, თაბაშირი), სᲐᲑᲭ. კავშირის მარშალ თ. ტოლᲑუᲮინის(1945—46, ბრინჯაო),

გენ. პ. ანტონოვის (1952, ბრინჯაო), ნ. ბერძენიშვილის (1952, თაბაშირი), ნ. ვაჩნაძის (1951, თაბაშირი — ყველა საქ. სსრ ხელოვნ. მუზეუმი) პორტრეტები. აღსანიშნავია აგრეთვე შიშველი ქალის ფიგურა (1949—50, თაბაშირი), კომპოზიცია „სიმშვიდე" (1959) და ფ. მახარაძის მონუმენტი (1958, ბრინჯაო, ქ. მახარაძე). ღრმა ფსიქოლოგიზმითა და მაღალი ოსტატობით გამოირჩევა სიცოცხლის ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრები (ი. აბაშიძის, 1968, პ. კაკაბაძის, 1969, გ. ჯიბლაძის, 1962, პორტრეტები და სხვ.). კ. ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა, მისი აღზრდილები არიან: თ. აბაკელია, ვ. თოფურიძე, ე. მაჩაბელი, შ. მიქატაძე, ე. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. ოჩიაური, ჯ. მიქატაძე, ბ. ციბაძე და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: კვასხვაძე შ., ნიკოლოზ კანდელაკი, თბ., 1961; შანიძე ლ., ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბ., 1975; Беридзе В., Езерская Н., Искусство Советской Грузии. 1921—1970, М., 1975.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 337

კანდელაკი სიმონ პლატონის ძე [1. (14). IX. 1887, სოფ. კულაში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 25. II. 1966, თბილისი], ქართველი საბჭ. პარაზიტოლოგი (მალარიოლოგი), მედ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1936), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1913 დაამთავრა იურიევის (ახლანდ. ტარტუ) უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1921—38 იყო ს. ვირსალაძის სახ. ტროპ. მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1930—42 განაგებდა ტროპ. სნეულებათა კათედრას თბილ. სამედ. ინ-ტში, ხოლო 1935—38 —იმავე კათედრას (შეთავსებით) ექიმთა დახელოვნების ინ-ტში. კ. ძირითადად სწავლობდა ტროპიკ. მედ. პრობლემებს; დაასაბუთა მალარიასთან ბრძოლაში ზოოპროფილაქტ. წამყვანი როლი; შემოიღო სპლენომეტრიის ორიგინ. მეთოდი; სსრკ-ში პირველმა ეფექტურად გამოიყენა მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა (მკურნალობა, პროფილაქტიკა, ჭაობების ამოშრობა, კოღოს წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ.) კომპლ. მეთოდი; საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ლეიშმანიოზების ნოზოგეოგრაფიას; აღმოაჩინა ვისცერული ლეიშმანიოზის გადამტანის ახ. სახეობა, აგრეთვე ამიერკავკ. ტკიპისმიერი სპიროქეტოზი და მისი გამომწვევი სპიროქეტა, რ-ებსაც კ-ის სახელი ეწოდა.

თხზ.: ექსპერიმენტული ლეიშმანიოზები, თბ., 1936; Кавказский клещевой возвратный тиф, Тб., 1941; Опыт оздоровления злостно-малярийной местности, Тфл., 1927.

ი. თოფურია.

კანდელაკი ქეთევან ისაკის ასული [დ. 14 (27). X. 1911, თბილისი], ქართველი საბჭ. თერაპევტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1968), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1942 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1946—57 მუშაობდა ამავე ინ-ტის კლინიკური და ბიოქიმ. ლაბორატორიების გამგედ. 1966-იდან ექიმთა დახელოვნების ინ-ტის თერაპიის კათედრის პროფესორი, 1976-იდან კი ამავე ინ-ტში მის მიერვე დაარსებული ნეფროლოგიის კურსის ხელმძღვანელია. შეისწავლის ძვლის ტვინის ენდოგენური სტიმულატორების—ერითროპოეტინების გავლენას ანემიის განვითარებაზე ზოგიერთი შინაგანი სნეულების დროს.

თხზ.: ანემიის პათოგენეზის საკითხისათვის თირკმლის დაავადების დროს, თბ., 1968; ლაბორატორიული ტექნიკა, გამოც. მე-2, თბ., 1966.

კანდელი (ბერძნ. kandela, ლათ. candela—სანთელი, სანათი, ლამპარი), ქრისტიანულ ეკლესიაში „სამსახურებელი სიწმინდის" ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი. ეკლესიის ჭერზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი, რ-შიც ზეთი ანთია. ზოგ ეკლესიაში არის ქორკანდელი — სასანთლეთა წრე, ერთ საკიდზე დაკიდებული რამდენიმე კ.; *აღაპებში* უთითებდნენ ხოლმე რომელი ხატის წინ უნდა აენთოთ კ. საღაპე პირისათვის და რამდენი ზეთი უნდა დაეხარჯათ.

კანდი (ინგლ. Kandy), მაჰა-ნუვარა (სინჰალური, სიტყვასიტყვით — დიადი ქალაქი), ქალაქი შრი-ლანკაში. ცენტრ. პროვინციის ადმ. ცენტრი. 98 ათ. მცხ. (1974). რკინიგზის სადგური. კ-ს რ-ნშია ქვეყნის ჩაის ბუჩქის ნარგავების 1/3-ზე მეტი. არის უნ-ტი. არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია XIII ს. სასახლე-რეზიდენცია. ქალაქის მახლობლადაა კ-ს ცნობილი ბოტან. ბაღი (დაარსდა 1821). კ. იყო *სინჰალის სახელმწიფოს* დედაქალაქი XV ს-იდან 1815-მდე.

კანდია (Candia) ალბერტო (1918—1948), პარაგვაის მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 30-იანი წწ. მიწურულსა და 40-იანი წწ. დასაწყისში აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში. მოგვიანებით ნავსადგურთა მუშების პროფკავშირებს ხელმძღვანელობდა. იყო პარაგვაის მშრომელთა კონფედერაციის წევრი. პარაგვაის კომპარტიაში (პკპ) შესვლის შემდეგ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშათა მოძრაობის მონაწილეთა შორის. 1945-იდან პკპ-ის ხელმძღვანელ პოსტებზე იყო. 1947-იდან პკპ ცკ-ის გენ. მდივანი. 1948 დააპატიმრეს, აწამეს და მოკლეს.

კანდიდამიკოზი (ლათ. Candida—საფუარისებრი სოკოს გვარის სახელწოდება და mykēs — სოკო), კანდიდოზი, ბლასტომიკოზი, დაავადება, რ-საც იწვევს Candida-ს გვარის საფუარისებრი სოკო; გარკვეულ პირობებში სოკო იძენს მაავადებელ თვისებებს და შეუძლია გამოიწვიოს კანის, ლორწოვანი გარსებისა და შინაგანი ორგანოების დაზიანება. დაავადება გადადის ავადმყოფთან უშუალო კონტაქტის ან სოკოთი გაბინძურებული ნივთების საშუალებით. ზედაპირული კ. ჩნდება კანის ნაკეცებში, განსაკუთრებით ხელის თითებს შორის, სადაც წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის წითელი, სველზედაპირიანი დეფექტი, ხშირად დაერთვის წვის, ტკივილისა და ქავილის შეგრძნება. პირის ღრუს, ცხვირხახის, ხორხის, საყლაპავი მილის ლორწოვანი გარსების კ-ის დროს ლორწოვანზე ჩნდება პატარ-პატარა წითელი ლაქები, რ-ებიც ზემოდან რძისფერი მოთეთრო ნადებით იფარება. ავადმყოფი უჩივის პირის სიმშრალეს, ტკივილს, ზოგჯერ სუნთქვისა და ყლაპვის გაძნელებას. სასქესო ორგანოების დაზიანებისას ქალებს ეწყებათ ქავილი, *თეთრად შლა*. შინაგანი ორგანოების კ-ის დროს ზიანდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტი (*გასტრიტი, ენტერიტი, კოლიტი*), სასუნთქი ორგანოები (*ბრონქიტი, პნევმონია*), შარდ-სასქესო სისტემა და სხვ., ხშირია ფრჩხილების კ. მკურნალობა: ადგილ. სადეზინფექციო და ანთების საწინააღმდეგო საშუალებანი, სათანადო ანტიბიოტიკები — ნისტატინი ან ლევორინი, B_2, B_6, PP, C და სხვა ვიტამინები. პროფილაქტიკა: კ-ის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.

კანდინი, დაბიანლუ, ქალაქი ჩინეთში, სიჩუანის პროვინციაში, მდ. დადუხეს ნაპირზე, 2500 *მ*-ზე მაღლა. სავაჭრო-სატრანსპ. პუნქტი სიჩუან-ტიბეტის საავტ. გზაზე. სატრანსპ. და სას.-სამ. მანქანათმშენებლობა, მატყლის გარეცხვა, აზბესტისა და ქარსის გადამუშავება. ვერცხლისა და რკინის ნაკეთობათა შინამრეწველური წარმოება.

კანდინსკი ვასილი ვასილის ძე [4 (16). XII. 1866, მოსკოვი,—13. XII. 1944, ნიოსიურ-სენი, პარიზთან ახლოს], რუსი ფერმწერი, აბსტრ. ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა მიუნხენში ა. აჟბეს სკოლასა (1897—98) და სამხატვრო აკადემიაში (1900). 1907-იდან ცხოვრობდა ბერლინსა და მიუნხენში, სადაც დაარსა (ფ. მარკთან ერთად) გაერთიანება

ვ. კანდინსკი. „ალმოსავლეთი". 1913. ქალაქის მუზეუმი. ამსტერდამი.

„ლურჯი მხედარი" (1911). ჰ. 1914 დაბრუნდა რუსეთში, 1921-იდან ცხოვრობდა გერმანიაში (1922-იდან „ბაუჰაუზის" პროფესორი), 1933-იდან—პარიზში. 1900-იანი წწ. დასასრულიდან მის შემოქმედებაში თანდათან ჭრება რეალური სინამდვილე („იმპროვიზაცია № 7", 1910, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; „კომპოზიცია № 10", 1939, თანამედროვე ხელოვნ. ეროვნ. მუზეუმი, პარიზი). ისწრაფოდა დაემკვიდრებინა „წმინდა" ფერწერა.

თხზ.: [ტექსტი], წგნ.: В. В. Кандинский, М., 1918.

ლიტ.: Рейнгардт Л., Абстракционизм, წგნ.: Модернизм. Анализ и критика основных направлений, М., 1969.

კანევი, ქალაქი უკრ. სსრ ჩერკასის ოლქში, კანევის რ-ნის ცენტრი, რკინიგზის სადგ. ტაგანჩიდან 45 *კმ*. ნავმისადგომი მდ. დნეპრის მარჯვ. ნაპირზე. კ-ში არის ხის სახერხი, ელექტრომექან., ბეტონის, ასფალტის, საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა ქ-ნები. კვების მრეწვ. საწარმოები. ტყის ჰიდროსამელიორაციო სადგური. კ-ის რ-ნშია კანევის ჰესი. კულტ.-საგანმან. სასწავლებელი. ა. გაიდარის სახ. მუზეუმ-ბ-კა.

კ. ცნობილია XII ს-იდან. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: იორის ტაძარი (1144), ტ. შევჩენკოს საფლავი-ძეგლი (ტარასის მთაზე; ბრინჯაო, გრანიტი, 1939, მოქანდაკე მ. მანიზერი, არქიტ. ე. ლევინსონი), ტ. შევჩენკოს მემორიალური მუზეუმი (1938, არქიტ. ვ. კრიჩევსკი, პ. კოსტირკო), სასტუმრო „ტარასოვა გორა" (1961). 1969 დასრულდა კანევის ჰესის საცხოვრ. დაბის მშენებლობა და ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია.

კანევის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. დნეპრზე, უკრ. სსრ კიევისა და ჩერკასის ოლქების ტერიტორიაზე. შეიქმნა 1972 კანევის ჰესის კაშხლით. ფართ. 675 *კმ*², მოც. 2,6 *კმ*³, სიგრძე 162 *კმ*, მაქს. სიგანე დაახლ. 5 *კმ*, საშ. სიღრმე 4,4 *მ*. იყენებენ ტრანსპორტისათვის, ენერგეტიკისა და ირიგაციისათვის.

კანევსკი ამინადავ მოსეს ძე [დ. 17 (29). II. 1898, ელიზავეტგრადი, ახლანდ. კიროვოგრადი, უკრ. სსრ], საბჭ. გრაფიკოსი. სსრკ სახ. მხატვარი (1973), სსრკ სამხატვრო აკად. წ.-კორ. (1962). სწავლობდა 1924—30 მოსკოვში უმაღლეს სახელმწ. სამხატვრო-ტექ. სახელოსნოებსა და უმაღლეს სამხატვრო-ტექ. ინ-ტში. კ-ს ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია ცოცხალი იუმორი. ძირითადად მუშაობს საბავშვო წიგნის ილუსტრაციის დარგში (ა. ლ. და პ. ნ. ბარტოს „მტირალა გოგონა", ტუში, კალამი, აკვარელი, პირველი ვარიანტი გამოიცა 1934; კ. ჩუკოვსკის „მოიდოდირი", ტუში, კალამი, აკვარელი, 1950). ქმნის კარიკატურებს (1936-იდან ჟურნალ „ეროკოდილის" თანამშრომელია) და დაზგურ ნახატებს. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კანეიდიანი, კანეიდიან-რივერი (Canadian River), მდინარე აშშ-ში, მდ. არკანზასის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 1500 *კმ*, აუზის ფართ. 124 ათ. *კმ*². სათავე აქვს სანგრე-დე-კრისტოს

ნ. პ. კანდელაკი

ს. კანდელაკი

ა. კანევსკი. ილუსტრაცია ა. ტოლსტოის ზღაპრისა „ოქროს გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი". ტუში, კალამი. 1942—43. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

კანთაროსი. თიხა. სიმაღლე 20,5 სმ. ძვ. წ. II ს. ნოქალაქევი. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.



თანამედროვე კანეკლიანები. ზღვის შროშნები: 1 — Metacrinus rotundus; 2 — Heliometra glacialis. ზღვის ვარსკვლავები: 3 — Astropecten auranciacus; 4 — Acanthaster planci; 6 — Culcita coriacea; ოფიურები: 5 — Ophiura sarsi; 7 — Ophiacantha truncata; 8 — Asteronix loveni; 9 — Gorgonocephalus arcticus. ზღვის ზღარბები: 10 — Echinosigra paradoxa; 11 — Heterocentrotus mammillatus; 12 — Rotula augusti; 13 — Spatangus purpureus. ჰოლოთურიები: 14 — Cucumaria frondosa; 15 — Leptosynapta inhaerens; 16 — Pelagothuria natatrix.

(კლდოვანი მთები) ქედზე. მიედინება დიდ და ცენტრ. ვაკეებზე. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. წყლის საშ. წლ. ხარჯი 177 $მ^3/წმ$. იყენებენ სარწყავად.

კანეკლიანები (Echinodermata), უხერხემლო ცხოველთა ტიპი, რ-იც აერთიანებს ზღვის მიმაგრებულ და თავისუფლადმცხოვრებ ცხოველებს. ახასიათებთ მეორეული რადიალური სიმეტრია, კიროვანი ჩონჩხი და *ამბულაკრული სისტემა*. სხეულის სიგრძე რამდენიმე *მმ*-დან 5 *მ* აღწევს (ნამარხ ფორმებში 20 *მ*-მდე); განსხვავებულია სხეულის ფორმაც, რ-იც ვარსკვლავს, ყვავილს, ბურთს, გულს, დისკოს, კიტრს, ჭიას წააგავს; ზოგიერთ ნამარხ კ-ს პარკის ფორმა აქვს. კ-ის სხეული 10-ნაწილიანია. თავისუფლადმცხოვრებ კ-ს პირი ჩვეულებრივ მუცლის (ორალურ) მხარეზე აქვთ, ხოლო უკანა გასავლის ხვრელი — ზურგის (აბორალურ) მხარეზე. მიმაგრებულ ფორმებს ორივე ხვრელი ერთმანეთთან დაახლოებული და ზემოთ მიმართული აქვთ. კ-ის სხეულის კედელი მაგარია, ჩონჩხის შემადგენლობაში შედის კიროვანი ფირფიტები, ნემსები და პედიცელარიები; ნემსები, ჩვეულებრივ, მოძრავია (ზღვის ზღარბები ნემსებს გადასაადგილებლად და თავდასაცავად იყენებენ). ზღვის ვარსკვლავებისა და ზღვის ზღარბების პედიცელარიები წვრილი მაშინებური დანამატებია, რ-ებსაც ცხოველი ჭუჭყის მოსაცილებლად და თავდასაცავად ხმარობს. ამბულაკრული სისტემა მოძრაობის, სუნთქვის, გამოყოფისა და შეხების ორგანოს ფუნქციას ასრულებს. ნერვული სისტემა შედგება ორალური ნერვული რგოლისა და რადიალური ნერვებისაგან, წარმოდგენილია ყნოსვის, გემოს, შეხების, მხედველობისა და წონასწორობის მცირედდიფერენცირებული ორგანოებით. მომნელებელ სისტემას გრძელი მილის (ზღვის შროშნები, ზღვის ზღარბები, ჰოლოთურიები) ან პარკის (ზღვის ვარსკვლავები, ოფიურები) ფორმა აქვს. ზღვის ვარსკვლავებს ნაკლებადმოძრავი პირთანა ჩონჩხი აქვთ, რ-იც ზღვის ზღარბებში არისტოტელეს ფარანს ქმნის (ზღვის შროშნებსა და ჰოლოთურიებს პირის ჩონჩხი არა აქვთ). სისხლის მიმოქცევის სისტემა შედგება ორალური და აბორალური წრიული და რადიალური სისხლძარღვებისაგან. გამოყოფა ხდება ამებოციტების საშუალებით, რ-ებიც დაშლის პროდუქტებთან ერთად სხეულის კედლის გავლით გარეთ გამოიყოფა ან სხეულის ღრუში ილექება. კ. ნაკლებად მოძრავი ცხოველებია. ოფიურები მოძრაობენ ნახტომისებურად; ზღვის ვარსკვლავები ნელა დაცოცავენ ამბულაკრული ფეხების მეშვეობით; ზღვის ზღარბები მოძრაობენ ეკლებით და ამბულაკრული ფეხებით. მრავალი კ. მტაცებელია, ზოგი იკვებება მცენარეული საკვებითა და დეტრიტით. მრავლდებიან სქესობრივად, უსქესოდაც — სხეულის შუაზე გაყოფითა და დანაკლისი ნახევრის რეგენერაციის გზით (ზღვის ვარსკვლავები, ოფიურები, ჰოლოთურიები). კვერცხუჯრედის განაყოფიერება და ჩანასახის განვითარება წყალში ხდება. ლარვის საწყისი ფორმაა ორმხრივსიმეტრიული დიპლეურულა. კ-ს ახასიათებს ავტოტომია.

კ-ის ტიპში 2 ქვეტიპია: მიმაგრებული კ. (Pelmatozoa) და თავისუფლად მოძრავი კ. (Eleutherozoa); პირველს თანამედროვე კლასებიდან მიეკუთვნება *ზღვის შროშნები* (Crinoidea), ნამარხებიდან კი 4 კლასი (Carpoidea, Cystoidea, Blastoidea, Erdioasteroidea); თავისუფლადმოძრავ კ-ს მიეკუთვნება: *ზღვის ვარსკვლავები* (Asteroidea), ოფიურები (Ophiuroidea), *ზღვის ზღარბები* (Echinoidea), *ჰოლოთურიები* (Holothuroidea) და ნამარხი კლასი Ophiocistia. ვარაუდობენ, რომ კ. წარმოიშვნენ კამბრიულამდელ პერიოდში. ცნობილია 6 ათ-მდე სახეობა, რ-თა უმეტესობა ცხოვრობს თბილ ზღვებში (არქტიკულ ოლქში მხოლოდ 122 სახეობაა ცნობილი). სსრკ ზღვებში კ. ცოტაა: ბალტიის ზღვაში 2 სახეობაა, შავ ზღვაში — 13, ჩრდილოეთის ზღვებში — 83 (აზოვის, კასპიისა და არალის ზღვებში საერთოდ არ არის). კ-ით მდიდარია შორეული აღმ. ზღვები (იაპონიის, ბერინგის, ოხოტის), სადაც 200 სახეობაზე მეტი გვხვდება.

კ-ს ზღვის ეკონომიკაში დიდი ადგილი უჭირავთ. იაპონიასა და ჩინეთში ზოგიერთი ჰოლოთურიას (ტრეპანგი) მოხარშულს ჭამენ, ხმელთაშუა ზღვის ზღარბების ქვირითსაც საკვებად ხმარობენ. სსრკ-ში აკონსერვებენ ჰოლოთურიებსა და ზღვის ზღარბებს, რიგი საშენი მასალა (მარმარილო, კირქვები) მეტწილად კ-გან შედგება.

ლიტ.: ყურაშვილი ბ., უხერხემლოთა ზოოლოგია, თბ., 1973. *რ. ჟორდანია.*

„კან ვიონგი“ („იმპერატორის დასაცავად“), განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩრდილო და ცენტრალურ ვიეტნამში 1885—96. მიმართული იყო საფრანგეთსა და ვიეტნამს შორის 1884 დადებული ხელშეკრულების (რ-ის შედეგად ვიეტნამში საფრ. პროტექტორატი დამყარდა) წინააღმდეგ. მოძრაობის მონაწილენი იცავდნენ ეროვნ. დამოუკიდებლობას, გამოდიოდნენ მონარქიისა და ფეოდალიზმის საფუძვლების დაცვის დროშით. მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ფეოდალების და ფეოდ. ინტელიგენციის (ვან თანი) კლასის წარმომადგენლები. აჯანყება ჩაახშვეს საფრ. დამსჯელმა რაზმებმა. მაგრამ ვიეტ. ხალხის ბრძოლა გრძელდებოდა და გადაიქცა ფართო ანტიფრანგ. მოძრაობად *დე თამის* მეთაურობით (გაგრძელდა 1913-მდე).

კანზასი (Cansas), შტატი აშშ-ის ცენტრ. ნაწილში. ფართ. 213,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 2,3 მლნ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 65% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. ტოპიკა. მნიშვნელოვანი ქ-ებია: უიჩიტო, კანზას-სიტი. ზედაპირი ტალღოვანი ვაკეა, რ-იც კლდოვანი მთების მთისწინეთიდან (სიმაღლე 1231 *მ*-მდე) დამრეცად ეშვება მდ. მისურისაკენ. ცენტრ. ნაწილი ბორცვიანია. ჰავა ზომიერი, კონტინენტურია, ნალექები 550—950 *მმ* წელიწადში. ზაფხულობით ხშირია გვალვა. მდ-ები კანზასი და არკანზასი წყალმცირეა.

კ. აშშ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სას.-სამ. შტატია, ხორბლის მოსავლით I ადგილზეა აშშ-ში, სორგოს მოსავლით — II-ზე, მსხვ. რქ. საქონლის სულადობით — IV-ზე. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის დაახლ. 2/3-ს იძლევა მეცხოველეობა, რ-იც უმთავრესად სახორცე მიმართულებისაა.

მრეწვ. დარგებიდან განვითარებულია სამთომოპოვებითი და დამუშავებითი მრეწველობა. იღებენ ნავთობს, ბუნებრივ აირს, ჰელიუმს (I ადგილი აშშ-ში). განვითარებულია კვების (ხორცსაკონსერვო, საფქვავი), საავიაციო, ავტოსაამწყობო, ნავთობგადასამუშ., ქიმ. მრეწველობა. სას.-სამ. მანქანათმშენებლობა.

კ-ის მკვიდრი მოსახლეები ინდიელები იყვნენ. ევროპელები აქ პირველად 1541 მოვიდნენ. 1803 კ. აშშ-ის სამფლობელო გახდა (იყიდეს საფრანგეთისაგან და შედიოდა ლუიზიანის ტერიტორიაში). 1854 მიიღო აშშ-ის ტერიტ. სტატუსი. კანზას-ნებრასკის ბილის მიღების (1854) შემდეგ კ-ში დაიწყო სამოქალაქო ომი მონობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. 1861-იდან აშშ-ის შტატი.

კანზას-სიტი (Cansas City), ქალაქი აშშ-ის ცენტრ. ნაწილში, მისურისა და კანზასის შესართავთან. ფაქტობრივად შერწყმულია კანზასის შტატის თანამოსახელე ქალაქთან და ქმნის ერთიან საქალაქო აგლომერაციას. 1,3 მლნ. მცხ. (1975). მნიშვნელოვანი სას.-სამ. რ-ნის დიდი სავაჭრო და სატრანსპ. კვანძი. წამყვანია კვების (ხორცსაკონსერვო, საფქვავი), ლითონდასამუშ. მრეწველობა. ფოლადის გამოდნობა, სას.-სამ. და გზის სამშენებლო მანქანების წარმოება, ავტომობილების აწყობა, ნავთობგადასამუშ., ქიმ., საპნის, ხის დასამუშ. მრეწველობა. პოლიგრაფია, რადიოელექტრონიკა. არის უნ-ტი. კ.-ს. დაარსდა XIX ს-ში.

კანთაროსი (ბერძნ. kantharos), ძვ. წ. VI—II სს. ბერძნული ქუსლიანი, ღრმა, პირგადაშლილი ღვინის სასმელი ჭურჭელი, რ-საც ვერტიკალურად მიმაგრებული ორი ყური აქვს. ამზადებდნენ უპირატესად თიხისაგან, ზოგჯერ ლითონისაგანაც. სხვადასხვა დროის კ-ები განსხვავდება პროპორციებით, ყურის მოყვანილობითა და ქუსლის სიმაღლით. კ. ღვინის ღმერთის დიონისეს ერთ-ერთი მუდმივი ატრიბუტი იყო.

ძვ. წ. IV—II სს. ბერძნ. თიხის შავლაქიანი კ-ები აღმოჩენილია საქართველოშიც (სოხუმი, ვანი, დაბლაგომი, დაფნარი, ფიჭვნარი, ნოქალაქევი და სხვ.).

ლიტ.: Блаватский В. Д., История античной расписной керамики, [М.], 1953. *ი. გაგოშიძე.*

კანთო (Can Gho), ქალაქი და ნავსადგური ვიეტ. სრ-ში, მეკონგის დელტაში, მდ. ბასაკის ნაპირზე. 182 ათ. მცხ. (1973). სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ბრინჯი) ცენტრი. ბრინჯის დამუშავება, ქოქოსის ზეთის წარმოება. საპნისა და თამბაქოს საწარმოები. ექსპერ. სას.-სამ. სადგური.

კანი, ადამიანისა და ცხოველების სხეულის ზედაპირული საფარველი; კ. შედგება ორი ნაწილისაგან — *ეპიდერმისისა* და *დერმის* ანუ კორიუმისაგან, რ-ებიც ერთიმეორისაგან ბაზალური მემბრანით არიან გამიჯნული.

ეპიდერმისი *ექტოდერმიდან* ვითარდება და წარმოდგენილია ერთშრიანი (უხერხემლოები, უმდაბლესი ქორდიანები) ან მრავალშრიანი (ხერხემლიანები) *ეპითელიუმით*. უხერხემლო ცხოველების ეპიდერმისი ზედაპირზე ხშირად წარმოქმნის მკვრივ კუტიკულას (მაგ., ჭიები), მძლავრ ქიტინის ფენას (ფეხსახსრიანები), კიროვან ნი-

ჟარებს (მოლუსკები). ადამიანისა და ხმელეთის ხერხემლიანთა ეპიდერმისი შეიცავს ბაზალურ, ქაცვებიან, მარცვლოვან, პრიალა და რქოვან შრეებს. სიღრმიდან ზედაპირისკენ იგი თანდათან რქოვანდება, ე. ი. განიცდის კერატინიზაციას. გარქოვანებული, მკვდარი უჯრედები სცილდება კ-ს, ბაზალური შრეებიდან კი ახალ-ახალი უჯრედები წარმოიქმნება (ადამიანის ეპიდერმისი სრულად განახლდება დაახლ. 20 დღე-ღამეში). ეპიდერმისიდან არის წარმოქმნილი ზოგიერთი ცხოველის სპეც. რქოვანი ორგანოები (*ქერცლი, ბუმბული, თმა*). წყლის ცხოველების ეპიდერმისში გაფანტულია მრავალი სეკრეტორული უჯრედი. ძუძუმწოვრების და ადამიანის ოფლის, ქონის, სარძევე ჯირკვლებს ეპიდერმისი წარმოქმნის. ეპიდერმისის ზოგ უჯრედს უკავშირდება რეცეპტორული უჯრედები. ეპიდერმისის ცალკეული უჯრედები პიგმენტებს შეიცავს. ეპიდერმისის სისქე საგრძნობლად ცვალებადია (განსაკუთრებით სქელი ეპიდერმისი აქვს სპილოს, მარტორქას, ბეჰემოთს).

კ ო რ ი უ მ ი მეზოდერმიდან ვითარდება და წარმოდგენილია შემაერთებელი ქსოვილით (მისი ზედა ფენა ფაშარია, ღრმა ფენა — უფრო მკვრივი); იგი მდიდარია სისხლის კაპილარებით და მგრძნობიარე ნერვული დაბოლოებებით. მისი პიგმენტური უჯრედები განაპირობებენ კ-ის ფერს. ზოგჯერ, უმთავრესად უმდაბლესი ხერხემლიანების კორიუმში ვითარდება კანისეული ჩონჩხის ელემენტები — ქერცლი, ძვალი (თევზი, კუ, ამომწყდარი ამფიბიები და სხვ.). ადამიანისა და ძუძუმწოვრების კორიუმი ეპიდერმისში დვრილებით და ნაოჭებითაა შეჭრილი, რაც მთელი კ-ის, განსაკუთრებით თითების ზედაპირის, თავისებურ რელიეფს ქმნის (იხ. *დერმატოგლიფიკა* და *დაქტილოსკოპია*).

კ. უმნიშვნელოვანესი მრავალფუნქციიანი სისტემაა, რ-იც ასრულებს (სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სახით) დამცველ, მექანიკურ, ბაქტერიციდულ, სეკრეტორულ, ექსკრეტორულ, შემწოვ (უმეტესად უმდაბლეს ცხოველებში), სუნთქვის (უმთავრესად წყლის ცხოველებში) ფუნქციებს, მონაწილეობს წყლის, მარილების, ნახშირწყლების, ცილების და ა. შ. ცვლაში; ხმელეთის ცხოველებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კ-ის მიერ წყლის აორთქლების უნარი და ამავე დროს ორგანიზმის დაცვა გამოშრობისაგან. კ-ში ინახება სისხლის დიდი მარაგი („სისხლის დეპოს" ფუნქცია). მისი თვისებები განაპირობებს წყლისა და მფრინავი ცხოველების ჰიდრო- და აეროდინ. თავისებურებებს. თბილსისხლიანი ცხოველებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კ-ის თერმორეგულაციურ ფუნქციას (ადამიანის თბოპროდუქციის დაახლ. 80% კ-ზე მოდის). კ. უმნიშვნელოვანესი რეცეპტორული სისტემაა. კ-სა და მთელ ორგანიზმს შორის უმჭიდროესი კავშირი ვლინდება იმითაც, რომ სხვადასხვა ორგანოს ფუნქციების დარღვევა ხშირად კ-ში იწვევს პათოლოგიურ პროცესებს და, პირუკუ, კანის დაზიანებას მთელი ორგანიზმის მძიმე ცვლილებები შეიძლება მოყვეს (იხ. *კანის დაავადებები, დერმატოლოგია*).

ლიტ.: Догель В. А., Сравнительная анатомия беспозвоночных, ч. 1, М.—Л., 1938; Иванов И. Ф., Ковальский П. А., Цитология, гистология, эмбриология, 3 изд., М., 1976; Шмальгаузен И. И., Основы сравнительной анатомии позвоночных животных, 4 изд., М., 1947.

ლ. ნათაძე.

კანი, მცენარის ფოთლის და ზოგი სხვა ორგანოს პირველადი მფარავი ქსოვილი; იგივეა, რაც *ეპიდერმისი*.

კანი, მდინარე რსფსრ კრასნოიარსკის მხარეში, ენისეის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 629 *კმ*, აუზის ფართ. 36,9 ათ. *კმ*². სათავე აქვს აღმ. საიანის ჩრდ. კალთებზე. ზემოთში ვიწრო ხეობაში მიედინება, შუაწელში ხეობა განივრდება, ქვემოთ კვეთს ენისეის ჭიუხის სამხრ. შტოქედებს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი სოფ. პოდპოროგთან 276 *მ*³/*წმ*. იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად. კ-ის ნაპირზეა ქ. კანსკი. მდინარის აუზშია კანსკ-აჩინსკის ქვანახშირის აუზის აღმ. ნაწილი.

კანი (Cannes), ქალაქი, კურორტი სამხრ. საფრანგეთში, ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე. ზღვისპირეთის ალპების დეპარტამენტში. 70,5 ათ. მცხ. (1975). ნავსადგური, სატრანსპ. კვანძი. 1946-იდან კ-ში (კინოს სასახლეში) ტარდება საერთაშ. კინოფესტივალები. საფეიქრო, სამკერვალო, კვებისა და სხვა სამრეწვ. საწარმოები ემსახურება კურორტს. საავიაციო ქ-ნა. კ. ტურიზმის დიდი ცენტრია. შედის ე. წ. ლაჟვარდოვანი ნაპირის რ-ნში მდებარე საფრ. რივიერის ცნობილი კურორტების ჯგუფში. ჰავა სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა. იცის ძალიან თბილი, მშრალი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 22,6°C), რბილი, მზიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 9,3°C). ნალექები 580 *მმ* წელიწადში. ძირითადი სამკურნ. საშუალება: ჰელიო- და აეროთერაპია, ზღვაში ბანაობა. სამედ. ჩვენება: ნერვული სისტემის ფუნქციური, სუნთქვის ორგანოთა ქრონიკული, გულსისხლძარღვთა და თირკმლის ზოგიერთი დაავადებანი, სიმსუქნე და სხვ. არის სანატორიუმები, სოლარიუმები, წყალ- და ფიზიოსამკურნალო, პანსიონატები, სასტუმროები, კეთილმოწყობილი წვრილქვიშიანი პლაჟი, თეატრები და საკონცერტო დარბაზები, სპორტ. ნაგებობანი, საცურაო აუზები.

კანი (Caen), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. საფრანგეთში, ნორმანდიაში, მდ. ორნის ნაპირზე, ლა-მანშის სრუტის მახლობლად, რ-თანაც დაკავშირებულია სანაოსნო არხით. კალვადოსის დეპარტამენტის ადმ. ცენტრი. 120 ათ. მცხ. (1975). კ-ში და მის გარეუბნებში განვითარებულია მეტალურგია, აგრეთვე მანქანათსაშ., საფეიქრო, ქიმ., ცემენტის, კერამ., კვების, ხის დასამუშ. მრეწველობა. შეაქვთ ქვანახშირი. გააქვთ რძის პროდუქტები, ღვინო და სხვ.

დაარსდა XI ს-ში. არის უნ-ტი (1432-იდან). ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: რომანული ეკლესიები და ციხესიმაგრე (XI ს.), ადრინდ. რენესანსის, გვიანდ. გოთიკური და ბაროკოს სტილის ეკლესიები, მამათა მონასტერი რომანული სენტ-ეტიენის ეკლესიით (1064—77). ქალაქის ცენტრში გაკეთებულია ახ. პროსპექტები, აშენდა უნ-ტის ახ. კომპლექსი (1957, არქიტ. ა. ბერნარი, ე. იური). კ-შია აგრეთვე ნატიფი ხელოვნ. მუზეუმი.

კანიბალიზმი (ფრანგ. cannibale, ესპ. canibal—კაციჭამია), *კაციჭამიობა*. გადატანით — მზეცობა, ბარბაროსობა.

კანინის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, სსრკ-ის ევრ. ნაწილის ჩრდ-ით, რსფსრ არხანგელსკის ოლქში. ფართ. დაახლ. 10,5 ათ. *კმ*². კ. ნ-ის ჩრდ. ნაწილში მდებარეობს კრისტ. ფიქლებით აგებული პლატოსებრი ჭიუხი კანინ-კამენი (სიმაღლე 242 *მ*-მდე), უკიდურეს ჩრდ.-დას-ით — კლდოვანი კონცხი კანინ-ნოსი, სამხრ.-აღმ-ით — მიკულკინის კონცხი. კ. ნ-ის დანარჩენი ნაწილი ზღვიური და მყინვარული ნალექებით აგებული ბრტყელი დაჭაობებული ტუნდრის ვაკეა. მორენული ბორცვების სიგანე 70—80 *მ* აღწევს. ნაპირებთან თევზისა და ზღვის ნადირის სარეწებია.

კანიონი (ესპ. cañón — მილი, ხეობა), მდინარის ღრმა ხეობა, ძალზე ციცაბო ფერდობებითა და ვიწრო ფსკერით, რ-იც, ჩვეულებრივ, მთლიანად მდინარის კალაპოტს უკავია. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კ-ის—*დიდი კანიონის* (მდ. კოლორადო, აშშ) სიგრძეა 320 *კმ*, სიღრმე—1600 *მ*-მდე. კ-ები გვხვდება მთიან მხარეებში და მაღალ ვაკეებზე. სსრკ-ში უდიდესი კ-ია სულაკის კ. (სიღრმე 1900 *მ*-მდე, სიგრძე დაახლ. 53 *კმ*) დაღესტანში. კანიონისებრ ხეობაში მიედინება მდ. იუფვშარა (მდ. ბზიფის აუზი) და ბევრი სხვა მდინარე საქართველოში.

კანისა და ვენერულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1935 თბილისის ჯანმრთელობის განყ-ბის ყოფილი III საავადმყოფოსა და საჩვენებელი დისპანსერის ბაზაზე. ინ-ტი საქართველოში დერმატოვენეროლოგიაში სამეცნ. კვლევისა და ორგანიზაციულ-მეთოდოლ. საქმიანობის საკოორდინაციო ცენტრია. შედგება 4 ძირითადი განყ-ბისა (დერმატოლოგიური, ვენეროლოგიური, ექსპერ., სამეცნ.-ორგანიზაციული) და 11 ქვეგანყ-ბისაგან. შეისწავლის დერმატო-ვენეროლოგიის სამეცნ. პრობლემებს. სამეცნ. კვლევა ძირითადად მიმართულია ვენერულ და კანის გადამდებ დაავადებათა შესამცირებლად და ჩვენი რესპ. მოსახლ. სამედ. მომსახურების გასაუმჯობესებლად. ჩატარებული გეგმიანი კომპლ. მუშაობის შედეგად აღნიშნული დაავადებანი მკვეთრად შემცირდა. შესწავლილია მრავალი მინერ. წყაროს სამკურნ. თვისებები. მოსკ. კანისა და ვენერულ სნეულებათა ცენტრალურ და სოფიის



მწერის კანის აგებულება (სქემა): 1—ეპიკუტიკულა; 2—ეგზოკუტიკულა; 3—ეპიდერმისი; 4—ბეწვიანი უჯრედი; 5—შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედი; 6—ეპიდერმისის ბაზალური მემბრანა; 7—ბეწვი; 8—ენდოკუტიკულა.



ძუძუმწოვრის კანის აგებულება (სქემა): 1—თმა; 2—ეპიდერმისის რქოვანი შრე; 3—ეპიდერმისის სხვა შრეები; 4—დერმის გარეგანი შრის დერივატები, რომლებიც ეპიდერმისშია ჩაზრდილი; 5—ქონის ჯირკვლები; 6—ოფლის ჯირკვლები; 7—კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი; 8—დერმის ბადისებრი შრე.



ნამარხი კანეკლიანები. კლასი Carpoidea: 1—Trochocystites bohemicus (კამბრიუმი), 2—Cothurnocystis elizae (ორდოვიკი); კლასი Eocrinoidea: 3—Rhipidocystis baltica (ორდოვიკი), 4—Bockia neglecta (ორდოვიკი); კლასი Edrioasteroidea: 5—Cyathocystis plautinae (ორდოვიკი), 6—Lepidodiscus ephraemovianus (დევონი); კლასი Echinoidea: 7—Tetracidaris (ქვედა ცარცი); კლასი Asteroidea: 8—Macroporaster matutinus (ორდოვიკი); კლასი Ophiocistia: 9—Volchovia mobilis (ორდოვიკი); კლასი Ophiuroidea: 10—Bundenbachia beneckei (ქვედა დევონი); კლასი Crinoidea: 11—Cyathocrinus (სილურ-კარბონი), 12—Embryocrinus banieli (პერმი); 13—Platycrinus simmetricus (კარბონი); კლასი Blastoidea: 14—Anthoblastus brouweri (პერმი); კლასი Cystoidea: 15—Pleurocystis filitextus (ორდოვიკი), 16—Aristocystis bohemicus (ორდოვიკი), 17—Dactylocystis schmidti (ორდოვიკი).

ვ. კანკავა.

კანისა და ვენერულ სნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტებთან ერთად ინ-ტი შეისწავლის ზღვისპირა და მაღალმთიანი კურორტების სამკურნ. ფაქტორებს და მათ გამოყენებას. აქ პირველად დაადგინეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული წითელი ტრიქოფიტონის ლიმფისა და სისხლის გზით განთესვის შესაძლებლობა.

ინ-ტმა გამოაქვეყნა შრომათა კრებულის 18 ტომი, აგრეთვე სამეცნ. კონფერენციების, ყრილობების, დერმატოლოგთა და მიკოლოგთა საერთაშ. კონგრესებისა და სიმპოზიუმების მასალები. 1975 გამოიცა ინ-ტის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. *ლ. შეწირული.*

კანის გალვანური რეფლექსი თარხნიშვილისა, ფსიქოგალვანური რეფლექსი, სხვადასხვა გამღიზიანებლის მოქმედების ან ფსიქიკური განცდის შედეგად კანის ორ უბანს შორის პოტენციალთა სხვაობის ან ელექტრული წინაღობის ცვლილება (პირველად 1889 აღწერა ი. *თარხნიშვილმა*). ჩვეულებრივ ჰ. გ. რ-ს აღრიცხავენ ამ 2 მაჩვენებლის გაზომვით ხელის მტევნის შიგნითა და გარეთა ან ორივე მტევნის შიგნითა ზედაპირს შორის. ჰ. გ. რ. — ბიოპოტენციალის უარყოფითი გადახრა ან ელექტრული წინაღობის შემცირება—განპირობებულია საოფლე ჯირკვლების გააქტივებით კანზე ოფლის გამოყოფის დაწყებამდე, რასაც იწვევს ცენტრ. ნერვული სისტემიდან სიმპათიკური ბოჭკოებით მოსული იმპულსები (იხ. *ვეგეტატიური ნერვული სისტემა*). ცენტრ. წარმონაქმნები, რ-ებიც განაპირობებენ ჰ. გ. რ-ის წარმოშობას, შუა ტვინის *რეტიკულურ ფორმაციაში* და *ჰიპოთალამუსშია*. ამ სტრუქტურების გააქტივება კი უპირატესად ლიმბური სისტემის — ტვინის ემოციური აპარატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის — ზეგავლენით ხდება. ჰ. გ. რ. საორიენტაციო რეაქციის კომპონენტია და წარმოადგენს ორგანიზმის პასუხს სიტუაციის მოულოდნელ ცვლილებაზე, რაც ახასიათებს ყოველგვარი ახ. მოქმედების ჩამოყალიბების პროცესს.

კანის დაავადებანი, ადამიანისა და ცხოველების დაავადებანი, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ეტიოლოგიით, განვითარების მექანიზმით და ხასიათდება კანის, მისი დერივატების (ფრჩხილები, ბალანი) და ლორწოვანი გარსების პათოლ. ცვლილებებით. ადამიანს ჰ. დ-ის დროს კანზე შეიძლება გაუჩნდეს ლაქები, ჩირქით ან გამჭვირვალე სითხით ამოვსებული ბუშტულები, ამობურცული კვანძები, ქიცვები, წყლულები, ნასკდომები და სხვ., რასაც ხშირად დაერთვის ქავილი, წვა და ტკივილი. ჰ. დ. შეიძლება იყოს ანთებითი (*დერმატიტები*) და ინფექციური (მაგ., კანის ტუბერკულოზი) ხასიათის. ჰ. დ-ს იწვევს მწერები (მაგ., *მუნი*), პათოგენური სოკოები (იხ. *დერმატომიკოზი*), ზოგჯერ — ორგანიზმის მომეტებული მგრძნობელობა რომელიმე გამღიზიანებლისადმი (წამლეული, ზოგიერთი მცენარე და სხვ.). კანზე შეიძლება გაჩნდეს ხალი, მეჭეჭი, სიმსივნე და სხვ. ჰ. დ-ს შეისწავლის *დერმატოლოგია*.

კანისეული ჩონჩხი, ცხოველთა გარეგანი ჩონჩხი, ე. ი. დაცვით-საყრდენი სისტემა, რ-იც ვითარდება კანის ჰმა თუ იმ ნაწილიდან. უხერხემლო ცხოველებში ჰ. ჩ. ქიტინის მძლავრი ფენა (განსაკუთრებით ფეხსახსრიანებში) ან სხვადასხვაგვარი კიროვანი ნიჟარაა (მაგ., მოლუსკებში). ხერხემლიანთა ჰ. ჩ-ს შეადგენს ძვლები, რ-ებიც ვითარდება *დერმაში*. უძველეს უყბო ხერხემლიანებს (*ოსტრაკოდერმები*) ძვლოვანი ჯავშანი ჰქონდათ, რ-იც შემდეგ მეტ-ნაკლებად გაქრა. მძლავრი ჰ. ჩ. ჰქონდათ ნამარხი ხრტილიანი და ძვლიანი თევზების სხვადასხვა ჯგუფს. თევზების ევოლუციის პროცესში ჰ. ჩ. ჩამოყალიბდა განცალკევებული კანის კბილების ანუ პლაკოიდური ქერცლის (ნამარხი თელოდონტები, ხრტილიანი თევზები), დიდი ფირფიტების ანუ განოიდური და კოსმოიდური ქერცლის (ძვლიანი თევზების მრავალი ამომწყდარი და ზოგი თანამედროვე ჯგუფი), პატარა, თხელი ძვლოვანი (ციკლოიდური და ქტენოიდური) ქერცლის (ძვლიანი თევზების უმრავლესობა) სახით. თავზე და მხრის სარტყლის ირგვლივ ჰ. ჩ-ის ელემენტები ეაერთიანდა დიდ ძვლოვან ფირფიტებად, ე. წ. კანისეულ ძვლებად, რ-ებიც გამოყვა პრიმიტ. ხმელეთის ხერხემლიანებსაც (*სტეგოცეფალებს*, ნაწილობრივ *კოტილოზაერებს*). ჰ. ჩ-ის, სახელდობრ, პლაკოიდური ქერცლის, ნაშთია კბილებიც. ხმელეთის პირობებში ჰ. ჩ-მა, რედუქცია განიცადა და მისგან შემორჩა მხოლოდ ცალკეული ძვლები, რ-ებიც დაუკავშირდა შინაგან ჩონჩხს და მის განუყოფელ ნაწილებად იქცა. ჰ. ჩ-ის რუდიმენტია უფეხო ამფიბიების ძვლოვანი კანქვეშა ფირფიტები, *ჰატერიისა* და ნიანგის ე. წ. მუცლის ნეკნები. ზოგ ჯგუფს მძლავრი ჰ. ჩ. მეორეულად განუვითარდა (კუ, ჯავშნიანი ძუძუმწოვრები). ჰ. ჩ-ს აკუთვნებენ კანეკლიანების კიროვან ფირფიტებს და ნეკსებს, რ-თაც ძვალთან არაფერი აქვთ საერთო.

კანის მგრძნობელობა, სხვადასხვა სახის შეგრძნების აღმოცენების უნარი კანის რეცეპტორთა გაღიზიანების საპასუხოდ. კანში ასხვავებენ 3 ჯგუფის რეცეპტორებს: მექანო-, თერმო- და ქემორეცეპტორებს. მექანორეცეპტორებია ტაქტილური და ბარორეცეპტორები, ადამიანის თერმორეცეპტორებია სითბოსა და სიცივის რეცეპტორები, ხოლო ქემორეცეპტორებად ტკივილის რეცეპტორებს მიიჩნევენ. კანის სხვადასხვა რეცეპტორი სტრუქტურულად განსხვავებულია. მექანო- და თერმორეცეპტორები ინკაფსულირებული სხეულაკებია, ე. ი. კანის სიღრმეში მოთავსებული მგრძნობიარე ნერვული დაბოლოება დაფარულია შემაერთებელქსოვილოვანი ფირფიტების კაფსულით. ტკივილის რეცეპტორი, ფიზიოლოგთა დიდი უმრავლესობის აზრით, უკაფსულო, ე. წ. თავისუფალ ნერვულ დაბოლოებას წარმოადგენს. ნორმალურ პირობებში კანის რამდენიმე ტიპის რეცეპტორი ერთდროულად ღიზიანდება და აღის გამო შეგრძნებათა კომპლექსი აღმოცენდება.

ლიტ.: ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი ნ., რეცეპტორთა ფიზიოლოგია, თბ., 1964; И л ь и н с к и й О. Б., Физиология кожной чувствительности, წგნ.: Физиология сенсорных систем, ч. 2, Л., 1972 (Руководство по физиологии).

კანის სოკოვანი დაავადებანი, კანის დაავადებათა ჯგუფი, რ-საც იწვევს პარაზიტული სოკოები. იხ. *დერმატომიკოზი, კანდიდამიკოზი.*

კან იუ-ვეი (19. III. 1858, პროვ. გუანდუნი, — 31. III. 1927, ცინდაო), ჩინელი მეცნიერი. რეფორმების მოძრავთა მოძრაობის ლიდერი ჩინეთში XIX ს. ბოლოს. 1887 დაწერა „წიგნი დიდი ერთობისა", რ-შიც გაღმოცემულია მისი უტოპიური სოც. თეორია. ჰ. ი.-ვ-მ წამოაყენა კერძო საკუთრების გაუქმებისა და საყოველთაო თანასწორობაზე დაფუძნებული საზ-ბის შექმნის იდეა. 1895 აგვ. დააარსა რეფორმების კლუბი — ციანსიუეხოი (სახელმწიფოს გაძლიერების ასოციაცია), 1898 აპრ.— რეფორმების პარტია ბაოგოხოი (სახელმწიფოს ღაცვის კავშირი). რეფორმატორების პარტიის დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. იყო კონსტ.-მონარქიული ორგანიზაციის ბაოხუანხოის (იმპერატორის დაცვის კავშირი) მეთაური. გამოდიოდა *სუნ იატ-სენის* რევ. მოძრაობის წინააღმდეგ.

კანიცარო (Cannizzaro) სტანისლაო (13. VII. 1826, პალერმო, — 10. V. 1910, რომი), იტალიელი ქიმიკოსი, ატომურ-მოლეკულური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა პალერმოსა და პიზის უნ-ტებში. 1851 პარიზში ფრანგ ქიმიკოს ფ. კლოეზთან ერთად მიიღო ციანამიდი შემდეგი რეაქციით: $CNCl+NH_3=$ $=CNNH_2+HCl$. იტალიაში დაბრუნების შემდეგ გახდა ალესანდრიის ეროვნული კოლეჯის ქიმ. პროფესორი (1851), 1853 აღმოაჩინა რეაქცია; $2C_6H_5-CHO+$ $+KOH \rightarrow C_6H_5COOK + C_6H_5CH_2OH$, რ-საც კ ა ნ ი ც ა რ ო ს რ ე ა ქ ც ი ა ეწოდა. 1856-იდან გენუის, 1861-იდან პალერმოს უნ-ტის, ხოლო 1871—1910 რომის უნ-ტის პროფესორი. აქ 1873 შეისწავლა სანტონინი და მისი ნაწარმები. ჰ-მ დაუზუსტა ზოგიერთი ელემენტის ატ. მასა. ზუსტად გამოკვეთა ცნებები „ატომი", „ეკვივალენტი" და „მოლეკულა". ჰ-ს შეხედულებები ასახულია მის შრომებსა (1858) და მოხსენებაში, რ-იც მან წაიკითხა ქიმიკოსთა საერთაშ. ყრილობაზე კარლსრუეში 1860.

კანკავა გურამ ისაის ძე (დ. 10. XI. 1928, თბილისი), ქართველი საბჭ. კრიტიკოსი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1963). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1952). წერილებს აქვეყნებს 1955-იდან. პირველი წიგნი „ლიტერატურული ეტიუდები" 1964 გამოსცა. ჰ-ს ეკუთვნის წიგნები: „ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები" (1969), „ლიტერატურული შენიშვნები" (1972), „ქართველი მწერლები და ლიტერატურული სამანები" (1978).

კანკავა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (8. I. 1913, სოფ. სერგიეთი, გეგეჭკორის რ-ნი,—9. IX. 1942), საბჭ. კავშირის გმირი (13. XII. 1942, სიკვდილის შემდეგ). სკკპ წევრი 1939-იდან. 1941 დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლ. ფაკ-ტი. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში. იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში. იყო 392-ე მსროლელი დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის სამხ. კომისარი. დაიღუპა 1942 წ. 9 სექტ. ბრძოლაში.

კანკავა მიხეილ ბართლომეს ძე (29. V.— 1900, სოფ. ხორში, ახლანდ. ცხაკაიას რ-ნი,—29. IV. 1977, თბილისი), ქართველი საბჭ. ენათმეცნიერი, რუსისტი, ლექსიკოგრაფი. ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1953), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა თსუ. მუშაობა დაიწყო მასწავლებლად (1920—35). კითხულობდა ლექციებს თსუ-ში (1940—44), ზუგდიდის სამასწავლებლო ინ-ტში (1940—44), იყო გორის პედ. ინ-ტის რუს. ენის კათედრის გამგე (1944—52). თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის პრორექტორი (1958—70), საქ. სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ინ-ტის რუს. ენისა და ლიტერის მეთოდიკის სექტორის გამგე (1956—1960). ჰ-მ წვლილი შეიტანა ქართ. სკოლებში რუს. ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეში, შეადგინა სახელმძღვანელოები ქართ. საშ. და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, მოკლე რუს.-ქართ. და ქართ.-რუს. ლექსიკონები (1965—77) და სხვ. აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი-რუსისტი და მეთოდისტი.

თხზ.: თ. ი. ბუსლაევის მეთოდიკური მემკვიდრეობა, თბ., 1961; В. И. Даль как лексикограф, Тб., 1958.

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა შ ვ ი ლ ი კ., მოქალაქე, მეცნიერი, პედაგოგი, თბ., 1976.

კ. ჯაჭარაშვილი.

კანკელი. სპეთის მაცხოვრის ეკლესიის კანკელის დეტალი. XI ს.

კანკალა დამბლა, თავის ტვინის ქერქ-ქვეშა სტრუქტურების დაზიანებით გამოწ-ვეული მოტორული ფუნქციების დარღვევა. იხ. აგრეთვე *პარკინსონიზმი.*

კანკანი (Kankan), ქალაქი გვინეაში, მდ. მილოს (ნიგერის აუზი) ნაპირზე. 176 ათ. მცხ. (1970). რკინიგზით უკავშირ-დება ნავსადგურ კონაკრის. საავტ. გზების კვანძი. ვაჭრობენ ბრინჯით, ხორცით, სა-ქონლით, კაუჩუკით. მეთუნეობა.

კანკელი, ი კ ო ნ ო ს ტ ა ს ი, მართლ-მადიდებლურ ეკლესიაში ტიხარი, ზღუდე, რ-იც საკურთხეველს გამოჰყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან. საქართველოში გავრცელებული კ. ქვისა და თაბაშირისაა, იშვიათად ხისა; შედარებით დაბალია, შედ-გება სვეტებისა და სვეტების შემაკავშირებ-ელი თაღებისაგან. სულ ზემო ხაზი თაღების თავზე აუცილებლად ჰორიზონტალურია. კ. შემკულია ორნამენტული და რელიეფუ-რი მორთულობით. რელიეფები გვხვდება ქვის კ-ებზე (ქვემო ბარიერზე), თაბაში-რისას კი მხოლოდ ჩუქურთმები ამკობს. დეკორატიულობის გასაძლიერებლად თა-ღებს ზოგჯერ კბილანები ჰქონდა. უძვე-ლესი კ-ები VIII—IX სს. მიეკუთვნება, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XI ს. ნიმუშები — საფარის, ხოვლის, შიო-მღვიმის, სპეთის, პატარა ონის, გველდე-სის, ატენის, ურთხვისა და სხვ. კ-ები. ზოგ მათგანს ამკობს ქვაზე ამოკვეთილი რე-ლიგ. სცენები, რ-ებიც შუა საუკუნეთა ქართ. პლასტიკის საუკეთესო ნაწარმოებთა რი-ცხვს მიეკუთვნება, ხოლო არმაზის ეკლე-სიის კ-ზე შემონახულია უძველესი მხატვ-რობის ნიმუში.

ლიტ.: ბ ერ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; Ш м е р-л и н г Р. О., Малые формы в архитек-туре средневековой Грузии, Тб., 1962.

შ. საღარაძე.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 464—465.

კანკროიდი (ლათ. cancer, ნათ. ბრ. can-cri — კიბო და ბერძნ. eidos — სახე), ბრტყელუჯრედიანი გარქოვანებული *კი-ბო;* უმეტესად ვითარდება კანის ეპითელი-უმის ზედაპირული შრისაგან.

კანო (Cano) ალონსო (მოინათლა 19. III. 1601, გრანადა, — 3. IX. 1667, იქ-ვე), ესპანელი მოქანდაკე და ფერმწერი, *ბაროკოს* წარმომადგენელი. 1616-იდან სწავლობდა სევილიაში, 1637-მდე იქვე მუშაობდა. კ-ს პოლიქრომული პლასტიკა (წმინდანთა სტატუები და ბიუსტები გრა-ნადის ტაძრისათვის, 1658—60) მონუმენ-ტურია, გამოირჩევა ექსპრესიულობით. ნა-კლებ თვითმყოფია მისი ფერწერა, რ-ისთვისაც დამახასიათებელია იდეალიზა-ცია, გარეგნული სილამაზე და იტალ. ხელ-ოვნების გავლენა. კ-ს პროექტით აიგო (1703, არქიტ. ხ. გრანადოსი) გრანადის ტაძრის დას. ფასადი.

კანო, იაპონური ფერწერის ერთ-ერთი სკოლა. შეიქმნა XV ს. II ნახევარში. ატა-რებს მისი დამაარსებლების კანო მასანო-ბუს და კანო მოტონობუს სახელს. ადრინდ. კ-ს მხატვრები ეყრდნობოდნენ იამატო-ეს სკოლისა და მონოქრომული ფერწერის ტრადიციებს; მათი ნამუშევრებისათვის და-მახასიათებელია პირობით-დეკორ. კომ-პოზიციის შერწყმა ცხოვრებისეულ დეტა-ლებთან. აყვავების პერიოდში (XVI ს. ბოლო და XVII ს. I ნახ.) კ-ს ფერწერის ცალკეულმა დეტალებმა რამდენადმე პი-რობითი ხასიათი მიიღო და მთლიანად დაემორჩილა კომპოზიციის ორნამენტულ-დეკორ. წყობას (კანო ეიტოკუ, კანო სან-რაკუ, კანო ტანიუ და სხვ.). XVII—XX სს. კ-ს მხატვრები არსებითად იმეორებდნენ ძვ. სახეებს.

კანო (Kano), ქალაქი ჩრდ. ნიგერიაში, კანოს შტატის ადმ. ცენტრი. 399 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი, საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. ხელოსნობისა და არაქისით, ბამბითა და ტყავით ვაჭრობის დიდი ცენ-ტრი. არაქისის ზეთის, ხორცის კონსერვე-ბის, საპნის, ტყავის ფეხსაცმლის, მთრიმ-ლავ ნივთიერებათა, ცემენტის წარმოება. საფეიქრო ფ-კა. XIX ს-მდე კ. იყო ჰაუსა—კანოს ხალხის ქალაქ-სახელმწიფოს დედა-ქალაქი.

კანოასი (Canoas), ქალაქი სამხრ. ბრა-ზილიაში, რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატ-ში. 150 ათ. მცხ. (1970). რკინიგზის სად-გური. საავტ. გზების კვანძი. საშენ მასა-ლათა წარმოება, მეტალურგია, სატრანსპ. მანქანათმშენებლობა, ელექტროტექ., ქიმ., ავეჯის, ცელულოზა-ქაღალდის მრეწვე-ლობა. ხორცმაცივარ-სასაკლაოები. კ-ის მახლობლად არის ნავთობგადასამუშ. ქ-ნა.

კანოე (ინგლ. canoe<ესპ. canoa — ნავი), სპორტული ნიჩბიანი ნავი. თანამედროვე კ-ს მაქოს ფორმა აქვს, ნიჩბის პალო არ გააჩნია; მას ერთფრთიანი ნიჩბით ნიჩბა-ვენ. კ-ს მიმართულებას უცვლიან წყალ-ში ნიჩბის მობრუნებით და ნიჩბის მოსმის ტრაექტორიის შეცვლით. კ-ს გასაკეთებ-ლად შეიძლება ხის მთლიანი ტანი ამო-ტეხონ ან კარკასზე ულტობი მასალა (სპეც. ფირფიცარი, ტყავი, გარეზინებული ქსო-ვილი, სინთეზური აფსკი, პლასტიკატე-ბი) შემოჭიმონ. უფრო სრულყოფილ სპორტ. კ-ს გაპრიალებული ფირფიცრისა-გან (საუკეთესოა წითელი ხე) ან პლასტ-მასისაგან ამზადებენ. ტურისტული კ. და-საშლელი ან გასაბერია (2—3 კაცისათვის). წყლის სლალომისათვის განკუთვნილ კ-ს აგებენ მინაპლასტიკებისაგან. მას აქვს ჩაუ-ძირაობის ჰერმეტული ნაკვეთურები ცხვი-რსა და კიჩოზე. სპორტ. კ-ს ნიჩბავს 1—2 დაჩოქილი მენიჩბე. სპორტ. კ-ს კორპუსის კვეთი და გრძივი ხაზები ამოზნექილი და უწყვეტი უნდა იყოს. ერთადგილიანი კ-ს მაქს. სიგრძეა 520 *სმ,* მინ. სიგანე—75 *სმ,* მინ. მასა 16 *კგ;* ორადგილიანისა, შესა-ბამისად — 650 *სმ,* 75 *სმ,* 20 *კგ.*

კანოვა (Canova) ანტონიო (1. XI. 1757, პოსანიო. ვენეციის მახლობლად, —13. X. 1822, ვენეცია), იტალიელი მოქანდაკე, კლასიციზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. სწავლობდა ვენეციაში (1768—74), მუშაობდა უმთავრესად ვენეცი-ასა და რომში. ადრინდ. ნამუშევრებში იცა-ვდა ბაროკოს ტრადიციებს, შემდეგ ბაძავდა ანტ. ხელოვნებას. კ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია კომპოზიციის საზეიმო სიმშვიდე, დახვეწილი პროპორციები, ცივი, სალონური სილამაზე (კლიმენტი XIII-ის საფლავი, 1792, წმ. პეტრეს ტაძარი, რომი, „ამური და ფსიქე", 1793, ლუვრი, პარიზი, 1800, ერმიტაჟი, ლენინგრადი; „პაოლინა ბორგეზე ვენერას სახით", 1805—07 ბორგე-ზეს გალერეა, რომი).

კანოვას დელ კასტილიო (Cánovas del Castillo) ანტონიო (8. II. 1828, მა-ლაგა, — 8. VIII. 1897, სანტა-აგედა), ესპანეთის სახელმწიფო მოღვაწე, მწერა-ლი, ისტორიკოსი. მონაწილეობდა ვ. წ. მანსანარესის პროგრამის (1854) შემუშა-ვებაში, რ-იც ითვალისწინებდა დამფუძნე-ბელი კორტესის მოწვევას, გადასახადების შემცირებას, სახ. მილიციის შექმნას. 1857 ჰადისის გუბერნატორი, 1864 ფინანსთა მინისტრი. 1868—74 რევ. დროს რესპ. წი-ნააღმდეგ გამოდიოდა. 1874 რესტავრა-ციის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმე-ლი. კონსერვატული პარტიის დამაარსებე-ლი (1875) და ლიდერი. 1875—81, 1884—85, 1890—92 და 1895—97 პრემიერ-მინის-ტრი. ხელი შეუწყო ესპანეთში კონსტ. მო-ნარქიული სისტემის განმტკიცებას. მოკლა იტალ. ანარქისტმა.

კანონი (ბერძნ. Kanon — წესი), ფილო-სოფიური კატეგორია, რ-იც ასახავს ობი-ექტური და ზოგადი ხასიათის კავშირ-მი-მართებებს მოვლენებს შორის. კ-ის დამა-ხასიათებელია აუცილებლობა, შინაგანობ-ა, არსებითობა, შედარებითი უცვლელო-ბა და განმეორებადობა. მაგ., ცოცხალი ორგანიზმები გამუდმებით იცვლებიან და ვითარდებიან, მაგრამ სიცოცხლის კ. უცვლელია. ობიექტურად მოქმედი კ-ები განსაზღვრავენ საგანთა და მოვლენათა მოძრაობა-ცვალებადობას დროის ყველა ეტაპზე. ეს კი ადამიანის მიზანდასახული მოქმედების ობიექტურ საფუძველს ქმნის.

მოქმედების მასშტაბის მიხედვით არ-სებობს სხვადასხვა სახის ობიექტური კ., საყოველთაო კ-ები, რ-ებიც დამახასიათებ-ელია მთელი სინამდვილისათვის (დია-ლექტიკის კ-ები), *მატერიის* მოძრაობის ფორმათა მარეგულირებელი, დინამ., სტა-ტისტ. და სხვა კ-ები. ყოველი სახის კ. სპეც. მეცნ. შესწავლას მოითხოვს. მეცნ. კ-ები ობიექტურად მოქმედი კ-ების იდეა-ლიზაციაა. მათი საშუალებით ადამიანებ-ი შეიმეცნებენ და გარდაქმნიან სინამდვი-ლის საგნებსა და მოვლენებს.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 3, თბ., 1959; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ანტი-დიურინგი, თბ.,1952; დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, თბ., 1955; დიალექტიკური მატ-ერიალიზმი, თბ., 1970; წ ე რ ე თ ე ლ ი ს., მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, თბ., 1955; Т у г а р и н о в В. П., Законы объективного мира, их познание и исполь-зование, Л., 1954.

მ. ცინცაძე.

კანონი (სამართ.), სახელმწიფო ხელისუ-ფლების უმაღლესი ორგანოს მიერ განსა-კუთრებული წესით მიღებული *ნორმატი-ული აქტი,* რ-იც არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სსრკ კონსტიტუციის მიხედვით, საბჭ. სა-ხელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოა სსრკ უმაღლესი საბჭო (მ. 108); მოკავში-რე და ავტონ. რესპუბლიკებში კ-ებს გამოს-ცემენ მათი უმაღლესი საბჭოები (იხ. მაგ., საქ. სსრ კონსტიტუცია, მ. 104). სსრკ-ში კ-ს უმაღლესი იურიდ. ძალა აქვს, რაც გამოიხატება იმით, რომ სახელმწიფოს სხვა-დასხვა ორგანოს მიერ გამოცემული ნების-მიერი სამართ. აქტი კ-ზე უნდა იყოს და-ფუძნებული. განასხვავებენ კონსტ. (ძი-რითად) და მიმდინარე (ჩვეულებრივ) კ-ებს. კონსტ. კ-ები ითვალისწინებენ საზ. და სახელმწ. წესწყობილების ძირითად საწყისებსა და პრინციპებს, სახელმწ. ორ-განოთა კომპეტენციას, მოქალაქეთა ძი-რითად უფლება-მოვალეობებსა და სხვ. მიმდინარე კ-ებს გამოსცემენ კონსტ. კ-ების შესაბამისად, მ. შ. დიდი მნიშვნელო-ბა აქვს სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბ-ლიკების *კანონმდებლობის საფუძვლებს,* მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლო-ბაში კი — *კოდექსებს.*

საბჭ. კ-ის მიღების განსაკუთრებული წესი მოიცავს რამდენიმე საფეხურს (იხ. *საკანონმდებლო პროცესი*). კ. მოქმედებას იწყებს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან (იხ. *კანონის მოქმედება*).

სხვა სოციალ. ქვეყნებშიც კ. უმაღლესი იურიდ. ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რ-საც გამოსცემს სახელმწ. ხელისუფლე-ბის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორ-განოები.

კანონი მ უ ს ი კ ა შ ი, ბოლომდე ზუს-ტად დაცული იმიტაცია. მრავალხმიან ნა-წარმოებში ყოველი მომდევნო ხმის მიერ საწყისი თემის დაგვიანებით დაწყება და ბოლომდე მისი ზუსტად გატარება. ჩვეუ-ლებრივ, კ. 2- და 3-ხმიანია (ზოგჯერ 4-, 5-ხმიანიც). არსებობს რამდენიმე სახის კ. ე. წ. ორმაგი კ., როცა ხდება 2 ერთდრო-ულად მჟღერი მელოდია-თემის იმიტირე-ბა; წრიული, უსასრულო კ., როცა დასას-რული ებმის დასაწყისს და ეს პროცესი შე-იძლება განმეორდეს ნებისმიერი რაოდენო-ბით; გამოუცნობი კ., როცა ცნობილია მხო-ლოდ მელოდია, ხოლო მისი იმიტირების პირობები დამოკიდებულია შემსრულე-ბელზე და სხვ. კ. აღმოცენდა XII ს-ში. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XIV ს. მუსიკაში — პოლიფონიის მყარად დამ-კვიდრების პერიოდში. XV ს-ში კანონი-კურ საფუძველზე შეიქმნა მრავალი სა-კულტო მუს. ნაწარმოები (კანონიკური მესა). შემდგომში კ. გამოიყენება როგორც

ა. კ ა ნ ო. „ძადონა". ფრა-გმენტი. მოხატული ხე. 1660. გრანადის ტაძარი.

კ ა ნ ო მ ო ტ ო ნ ო ბ უ-პეიზაჟი სერიიდან „კიოტოს რვა ხედი". გრაგნილი. ფერ-წერა ქაღალდზე. XV ს. ბოლო—XVI ს. დასაწყისი. ტაკაიენის მონასტერი. კიოტო.

ა. კ ა ნ ო ვ ა. „პერსეუსი". მარმარილო. 1801. მუზეუ-მი პიო კლემენტინო. ვატიკანი.

ფუგის ელემენტი. კ-მა უმაღლეს განვითარებას ი. ს. ბახის შემოქმედებაში მიაღწია. ცნობილია რუსი კომპოზიტორების კ-ებიც.

კანონი, იხ. *ლექციონარი.*

კანონიერება, სახელმწიფოში ისეთი რეჟიმის არსებობა, როცა ადამიანთა ქცევა შეესაბამება კანონებსა და სხვა აქტებით გამოხატულ სამართლებრივ ნორმებს, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო განუხრელად იყენებს სათანადო სანქციას. ბურჟ. სახელმწიფოებში კ. ემსახურება საზ-ბის უმცირესობის, გაბატონებული ექსპლუატატორული კლასების ინტერესებს; სოციალ. სახელმწიფოებში კი — მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს, რ-ის ნება ასახულია სოციალ. სამართ. ნორმებში, სახელმწიფოს იურიდ. აქტებში.

სოციალ. კ. სახელმწ. ორგანოების, საზ. ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეთა საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპია, რ-ის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან განუხრელად შეასრულონ მოქმედი კანონები და მათ საფუძველზე გამოცემული სხვა ნორმატიული აქტები (იხ. სსრკ კონსტიტუცია, მმ. 4, 59). ვ. ი. ლენინი საბჭ. ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე უდიდეს ყურადღებას აქცევდა სოციალ. კ-ის განმტკიცების საქმეს. იგი მიუთითებდა, რომ „საჭიროა უმკაცრესი რევოლუციური წესრიგის დაცვა, საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისა და ბრძანებების წმინდად დაცვა და თვალყურის დევნება, რომ მათ ყველა ასრულებდეს" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 659—660). სოციალ. კ-ის თეორ. დასაბუთებისა და მისი ძირითადი პრინციპების დამუშავების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წერილს «„ორმაგი" დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ», რ-იც 1922 წ. 20 მაისს დაიწერა. სოციალ. კ-ის განვითარებისა და განმტკიცების საკითხს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სკკპ პროგრამა, პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებები და სხვა პარტ.-სახელმწიფოებრივი აქტები. ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებს, რომ სამართლისადმი, კანონისადმი პატივისცემა თითოეული ადამიანის პირად მოთხოვნილებად უნდა გადაიქცეს.

სოციალ. საზ-ბის პირობებში კ-ის განმტკიცების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, რაც კ-ის პრინციპის გატარების რეალურ გარანტიას ქმნის. ასეთებია: 1. იდეოლოგიური ხასიათის აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რ-ებიც კომუნისტური აღზრდის ამოცანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. 2. კონტროლი და ზედამხედველობა (სპეც. სახელმწ. ორგანოები კ-ის თვალსაზრისით აკონტროლებენ სახელმწ. აპარატის ყველა რგოლის მუშაობას; საზოგადოებრიობა, მშრომელი მასები — სოციალ. კ-ის დაცვას; პროკურატურის ორგანოები ზედამხედველობას უწევენ კანონთა შესრულებას და ა. შ.). 3. სხვადასხვა ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი სამართალდამრღვევთა მიმართ (სისხლის სამართ. სასჯელი, ადმ. ან დისციპლინური სახდელი, სამოქალაქო-სამართ. სანქციები და სხვ.). *გ. ინწკირველი.*

კანონიერი წარმომადგენელი, საბჭ. სამართლის მიხედვით, პირი, რ-იც, კანონის ძალით, გამოდის დაწესებულებაში (მ. შ. სასამართლო დაწესებულებაში) ან მოქალაქეებთან ურთიერთობაში და იცავს ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აგრეთვე ისეთი ქმედუნარიანი პირის ინტერესებს, რ-საც ფიზ. მდგომარეობის გამო (მოხუცებულობა, ავადმყოფობა და სხვ.) არ შეუძლია პირადად დაიცვას თავისი უფლება-მოვალეობანი (იხ. სტ. *ქმედუნარიანობა*). კ. წ. წარმდგენის სახელითა და მისი ინტერესების შესაბამისად დებს გარიგებებს, მონაწილეობს სამოქალაქო ან სისხლისსამართ. პროცესებში და ა. შ.

ე. წ-ად ითვლება მშობელი, შვილად ამყვანი, მეურვე, მზრუნველი და სხვ. (საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., მ. 25, პ. 8).

კანონიზაცია (გვიანდ. ლათ. canonizatio < ბერძნ. kanonizō — ვაკანონებ), კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებში ამა თუ იმ პირის წმინდანად შერაცხვა. კათოლიციზმში კ-მ პაპების *ალექსანდრე III-ისა* და *ინოკენტი III-ის* დროიდან მიიღო მტკიცედ ჩამოყალიბებული იურიდ. ხასიათი და იგი რომის პაპების პრეროგატივად იქცა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში კ-ის მკაცრი ნორმები არ არსებობს.

კანონიკა, კანონიკური ლიტერატურა, სასულიერო მწერლობის დარგი; მოიცავს საეკლესიო იურიდიულ ლიტ-რას, რ-იც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ ნებადართული იყო იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის. კ-ის პირველი ძეგლების აღმოცენება ბიზანტ. საეკლესიო მწერლობის საწყისებს უკავშირდება; კრებულებში მათი გაერთიანება ბიზანტიაში ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან დაიწყო და 883 ჩამოყალიბებული სახე მიიღო „ნომოკანონის" სახით.

ქართ. კანონიკური მწერლობა *ექვთიმე მთაწმიდლის* (X ს.) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „მცირე სჯულისკანონით" იწყება. კრებულში გაერთიანებულ სხვადასხვა დროის თხზულებათაგან ცენტრ. ადგილი უჭირავს VI მსოფლიო კრების კანონებს, რ-ნიც საფუძვლიანად განსხვავდებიან დედნისაგან. როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმიდელს შეუდგენია ნახევრად ორიგინ. კოდექსი, რ-ზეც გაერთიანებია იმდროინდელი მოქმედი საეკლ. კანონები. XI ს. მიწურულს ან XII ს. დამდეგს *არსენ იყალთოელმა* ბერძნულიდან თარგმნა „ნომოკანონი" (883) „დიდი სჯულისკანონის" სახელწოდებით. XII ს-ში უნდა იყოს ნათარგმნი ბერძნულიდან „კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რ~თა აკსნა გამოსცა პატრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან". კანონიკურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს XV ს. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიხაილის მიერ იოაკიმე ბედიელის აფხაზეთის კათალიკოსად დადგინებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი ეპისტოლე, ე. წ. „სასჯულო მცნება". *ანტონ I-მა* სომხურიდან თარგმნა III მსოფლიო კრების (ეფესოს) აქტები (1776). ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში სხვა მასალასთან ერთად შეტანილია *„სამართალი ბერძული"*, რ-იც ერთ-ერთი ბიზანტიური „ნომოკანონის" (XIII—XIV სს.) თარგმანია. ქართ. ორიგინ. კ-ის სათავედ უნდა მივიჩნიოთ ექვთიმე მთაწმიდლის პასუხები გიორგი ჭყონდიდლის შეკითხვებზე, რ-ებშიც საეკლ. სამართლის საკითხებიც არის განმარტებული. ქართ. კ-ის უმნიშვნელოვანესი ძეგლია *რუის-ურბნისის საეკლესიო კრების* დადგენილებანი, ე. წ. „ძეგლისწერა". სხვა ძეგლთაგან აღსანიშნავია *„კათალიკოსთა სამართალი"*, 1543—49 იმერეთში მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, 1762 ერეკლე II-ისა და იოსებ კათალიკოსის ინიციატივით მოწვეული საეკლ. კრების კანონთა კრებული, ანტონ I-ის მიერ 1767 შედგენილი კანონიკური ეპისტოლე და სხვ. საეკლ. სამართლის საკითხებს ხშირად ეხება დოკუმენტები, რ-ებიც სიგელებისა და გუჯრების სახელწოდებითაა ცნობილი.

გამოც.: დიდი სჯულისკანონი, გამოსცეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975; მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოც., თბ., 1972; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1—5, თბ., 1963—74.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 1, ნაკვ. 1, ტფ., 1928.

ე. გაბიძაშვილი.

კანონიკური სამართალი, საეკლესიო კრებების და რომის პაპების დადგენილებათა ერთობლიობა. კ. ს-ის პირველი კოდიფიკაცია წამოიწყო XII ს-ში ბოლონიელმა ბერმა გრაციანმა, რ-მაც შეადგინა ე წ. გრაციანის დეკრეტი. XVI ს-ში იგი საფუძვლად დაედო „კანონიკური სამართლის კრებულს" („Corpus juries canonici"). კ. ს-ის მიხედვით განიხილებოდა ქ-ლდობანი, რ-ებიც „ცოდვის" ელემენტებს შეიცავდნენ (სას. პირთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები, საოჯახო-ზნეობრივი ხასიათის გადაცდომები და დანაშაულობანი). 1917 პაპმა ბენედიქტე XV-მ გამოსცა „კანონიკური სამართლის კოდექსი", რ-ის მიხედვითაც კ. ს. აწესრიგებს მხოლოდ შიგასაეკლესიო საქმეებს. შუა საუკუნეებში კ. ს-მა ხელი შეუწყო დანაშაულის სუბიექტური მხარის დამუშავებას, ანდერძის ინ-ტის განვითარებას. მართლმადიდებლურ ეკლესიაში კ. ს-ად იწოდება უმთავრესად საეკლ. კრებებზე დადგენილი კანონიკური წესების ერთობლიობა. ამ წესების მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა *საეკლესიო სამართალში*, რ-იც მოქმედებდა ძვ. საქართველოშიც. იხ. აგრეთვე *კანონიკა.*

კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ, სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1951 წ. 12 მარტს მიღებული კანონი, რ-იც თვლის, რომ ომის ყოველგვარი პროპაგანდა ძირს უთხრის მშვიდობას, ქმნის ახალი ომის საფრთხეს და ამიტომ წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ. ამ კანონის მიხედვით, ომის პროპაგანდაში დამნაშავე პირი უნდა გაასამართლონ როგორც საშიში სისხლისსამართ. დამნაშავე. 1950—51 ასეთი კანონები მიიღეს უნგრეთში, გდრ-ში, რუმინეთში და სხვ. სამოქალაქო და პოლიტ. უფლებათა საერთაშ. პაქტმა, რ-იც 1966 მიიღო გაეროს გენ. ასამბლეამ სსრკ-ის ინიციატივით, მონაწილე სახელმწიფოებს დააკისრა ვალდებულება, რომ კანონით აკრძალონ ომის ყოველგვარი პროპაგანდა (მ. 20). მშვიდობის დაცვის კანონის შესაბამისად, საბჭ. სისხლის სამართ. კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეც. მუხლს ომის პროპაგანდისთვის დასჯის თაობაზე (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 72).

კანონის განმარტება, იხ. სტ. *განმარტება სამართლის ნორმისა.*

კანონის მოქმედება, კანონის სავალდებულო ძალა დროისა და სივრცის ფარგლებში და მოქალაქეთა მიმართ. კ. მ. დროში იწყება კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან და გრძელდება მისი ძალის დაკარგვის მომენტამდე. საბჭ. კანონმდებლობის თანახმად, კანონი ძალაში შედის ოფიც. ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ, თუ თვით კანონში სხვა ვადა არ არის ნაჩვენები. კანონი ძალას კარგავს, როდესაც მას გააუქმებს ან შეცვლის ახ. კანონი; ხოლო თუ კანონი გამოცემული იყო განსაზღვრული ვადით ან განსაზღვრულ გარემოებასთან დაკავშირებით, იგი ძალას დაკარგავს, როცა ეს ვადა გავა ან ეს გარემოება მოისპობა. კ. მ. ვრცელდება მხოლოდ ისეთ ურთიერთობაზე, რ-იც გაჩნდა მისი ძალაში შესვლის შემდეგ (კანონის უკუძალის აკრძალვა). გამონაკლისის სახით კანონი შეიძლება გავრცელდეს ადრე არსებულ ურთიერთობებზეც, თუ ამის შესახებ პირდაპირ მითითებულია კანონში. სისხლის სამართალში უკუძალა აქვს ყოველ კანონს, რ-იც აუქმებს მოქმედების დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 7). კ. მ-ის სფერო მოიცავს იმ ტერიტორიას, რ-ზედაც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. სსრკ-ის კანონები, როგორც წესი, მოქმედებენ მთელი სსრკ ტერიტორიაზე, ხოლო

მოკავშირე რესპ. ან ავტონ. რესპ. კანონები — შესაბამის ტერიტორიაზე. თუ მოკავშირე რესპ. კანონი განსხვავდება საბჭ. კავშირის კანონისაგან, მოქმედებს სსრკ კანონი (სსრკ კონსტიტუცია, მ. 74). საბჭ. სისხლის სამართ. კანონები ვრცელდება ყველა საბჭ. მოქალაქეზე, მოქალაქეობის არამქონე პირზე და უცხოელზე, ვინც დანაშაული საბჭ. კავშირის ტერიტორიაზე ჩაიდინა. გამონაკლისს წარმოადგენენ ის პირები, რ-ებიც *ექსტერიტორიულობის* უფლებით სარგებლობენ (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 5). სისხლის სამართლის კანონი ვრცელდება აგრეთვე იმ საბჭ. მოქალაქეზეც და მოქალაქეობის არამქონე პირზე, რ-მაც დანაშაული საზღვარგარეთ ჩაიდინა (მ. 6.).

თ. წერეთელი.

კანონმდებლობა, 1. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა — კანონების გამოცემა. 2. სახელმწიფოში მოქმედ კანონთა ან სამართ. ცალკეული დარგის კანონთა ერთობლიობა (მაგ., სამოქალაქო კ., სისხლის სამართ. კ., საოჯახო კ. და სხვ.).

კანონმდებლობის საფუძვლები სსრკ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკებისა, საერთო პრინციპები და უმნიშვნელოვანესი ნორმები, რ-თა შესაბამისადაც უნდა იყოს აგებული სამართლის ცალკეული დარგების კანონმდებლობა. კ. ს-ის შემოღება დაკავშირებულია სსრკ-ის, როგორც ფედერ. სახელმწიფოს შექმნასთან. საბჭ. სახელმწიფოს ფედერ. მოწყობა იმთავითვე გულისხმობდა მასში შემავალი რესპუბლიკების სუვერენობას და თანასწორუფლებიანობას, რაც აისახა საკანონმდებლო სფეროშიც. ამან გამოიწვია აგრეთვე საკანონმდებლო კომპეტენციის დანაწილება სსრკ-სა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. სსრკ 1977 კონსტიტუციის შესაბამისად, საბჭ. კავშირის კომპეტენციის საკანონმდებლო სფეროში შედის სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების კ. ს-ის დაწესება (მ. 73, პ. 4), მოკავშირე რესპუბლიკები კი ძიიღებენ თავიანთ კოდექსებს. 1979 წ. 1 იანვრისათვის სულ გამოცემულია სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების 14 კ. ს.: სისხლის სამართლისა (მიღებულია 1958 წ. 25 დეკ.), სისხლის სამართალწარმოებისა (მიღებულია 1958 წ. 25 დეკ.), სასამართლო წყობილებისა (1958 წ. 25 დეკ.), სამოქალაქო სამართლისა (1961 წ. 8 დეკ.), სამოქალაქო სამართალწარმოებისა (1961 წ. 8 დეკ.), ქორწინებისა და ოჯახისა (1968 წ. 27 ივნ.), მიწისა (1968 წ. 13 დეკ.), შრომგასწორებითი სამართლისა (1969 წ. 11 ივლ.), ჯანმრთელობის დაცვისა (1969 წ. 19 დეკ.), შრომისა (1970 წ. 15 ივლ.), წყლისა (1970 წ. 10 დეკ.), სახალხო განათლებისა (1973 წ. 19 ივლ.), წიაღისა (1975 წ. 9 ივლ.) და ტყის კ. ს. (1977 წ. 17 ივნ.). კ. ს-ის მიერ დადგენილი ნორმები მოქმედებს მთელი სსრკ-ის ტერიტორიაზე და საერთოა ყველა რესპუბლიკისათვის. რესპ. კანონმდებლობა უნდა ემყარებოდეს კ. ს-ის დებულებებს და მათ შორის არ უნდა იყოს წინააღმდეგობა. მაგრამ რესპუბლიკას, ეროვნ., ადგილ. თუ სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით, შეუძლია შემოქმედებითად განავითაროს კ. ს-ით დადგენილი პრინციპები, გამოსცეს მათი დამაზუსტებელი, დამაკონკრეტებელი ნორმები. ზოგჯერ კ. ს. პირდაპირ მიუთითებს, რომ რესპ. კანონმდებლობამ თვითონ უნდა მოაწესრიგოს ესა თუ ის საკითხი (იხ. მაგ., სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 სისხლის სამართ. კანონმდებლობის საფუძვლები, მ. 21, ნაწ. 5; მ. 25, ნაწ. 2 და სხვ.).

ო. გამყრელიძე.

კანოპუსი, α გემის ხერხემლისა, *გემის ხერხემლის* თანავარსკვლავედის ვარსკვლავი, ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეა* — 0,75 (ბრწყინვალებით მეორეა ცაზე), ნათობით 4700-ჯერ აღემატება მზეს. მზიდან მანძილი 50 *პს*.

კანოსა (Canossa), ციხე ჩრდ. იტალიაში (რეჯო-ნელ-ემილიადან 18 *კმ*-ზე). XI ს-ში ეკუთვნოდა ტოსკანის მარკგრაფინია მატილდას. აქ 1077 იანვ. ერთმანეთს შეხვდნენ მატილდასთან სტუმრად მყოფი პაპი *გრიგოლ VII* და მის მიერ ეკლესიიდან განკვეთილი გერმ. იმპ. *ჰაინრიხ IV*. ზოგიერთი ქრონიკის თანახმად, ჰაინრიხ IV მომნანიებელი ცოდვილის ტანსაცმლით 3 დღე ელოდა კ-ს კედლებთან პაპის შენდობას. „კანოსაში გამგზავრება" (ბისმარკის გამოთქმა) გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს დამამცირებელ კაპიტულაციაზე დათანხმებას (ნამდვილად კი ჰაინრიხ IV-ს „კანოსაში გამგზავრება" წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტ. მანევრს).

კანპური, ქალაქი ჩრდ. ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატში, მდ. განგის მარჯვ. ნაპირზე. 1,3 მლნ. მცხ. (1972). ინდოეთის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი და სამრეწვ. ცენტრია. მრეწვ. მთავარი დარგებია საფეიქრო (უმთავრესად ბამბეულის, აგრეთვე შალეულის) და ტყავფეხსაცმლის მრეწველობა. ვითარდება მანქანათმშ. (ვაგონთმშენებლობა და სხვ.), ქიმ. მრეწველობა, ლითონდამუშავება. არის კვების მრეწვ. საწარმოები, სარემონტო სახელოსნოები. უნ-ტი (1966-იდან).

„კანსან უუტისეტ" („Kansan Uutiset" — „სახალხო ახალი ამბები"), ყოველდღიური გაზეთი, ფინეთის კომპარტიისა და ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ორგანო. დაარსდა 1956, გამოდის ჰელსინკიში. ტირაჟი (1978) 55,6 ათ. ც.

კანსი, სიუან ე (4. V. 1654 — 20. XII. 1722, პეკინი), ცინის მანჯურიელთა დინასტიის იმპერატორი ჩინეთში 1662-იდან. კ-ს გამგებლობის დროს დასრულდა ჩინ. დაპყრობა მანჯურიელთა მიერ. მან სასტიკად ჩახშო ჩრავალრიცხოვანი სახ. გამოსვლები. კ-ს დროს განმტკიცდა მანჯურიელ-ჩინელ ფეოდალთა ხელისუფლება ტიბეტში, 1689 რუსეთთან დაიდო ნერჩინსკის ხელშეკრულება.

კანსიონერო (ესპ. canscionero, პორტუგ. cansioneiro—სიმღერათა კრებული), გვიანდელი შუა საუკუნეების ესპანური ლირიკული პოეზიის კრებულები. XII—XIV სს-ში ადგენდნენ გალისიურ-პორტუგ. ენაზე, აგრეთვე კატალანურ ენაზე, სადაც მას კანსიონეირუ ეწოდებოდა. XV ს-ში კ. შეადგინეს პოეტებმა, რ-ებიც უმთავრესად კასტილიურ (ესპ.) ენაზე წერდნენ. ცნობილია „ბაენას კანსიონერო" (გამოქვეყნდა 1851), რ-იც შეადგინა ხ. ა. დე ბაენამ დაახლ. 1445 და შეიცავს XIV ს. დასასრ. და XV ს. დასაწყ. 50-ზე მეტი პოეტის 576-მდე ლექსს; „სტუნიგას კანსიონეროში" (გამოქვეყნდა 1872) გაერთიანდა უმეტესად არაგონელ პოეტთა ლექსები; „საყოველთაო კანსიონერო" (1511) შეადგინა ე. დელ კასტილიომ და შეიცავს XV ს. II ნახ. 136 პოეტის ლექსს. 1519 გამოქვეყნდა აგრეთვე ესპ. პოეზიის პირველ სატირულ კრებულად მიჩნეული „სახუმარო კანსიონეროს ნიმუშები, რომლებიც სიცილს იწვევენ".

ლიტ.: Менендес Пидаль Р., Избр. произведения, М., 1961.

კანსკ-აჩინსკის ქვანახშირის აუზი, მდებარეობს კრასნოიარსკის მხარის სამხრ. ნაწილში, კემეროვოსა და ირკუტსკის ოლქებში. კ.-ა. ძ. ა. გაწოლილია ციმბირის რკინიგზის გასწვრივ (სადგ. იტატიდან სადგ. ტაიშეტამდე) დაახლ. 700 *კმ*-ზე. სიგანე 50—250 *კმ*. აუზის ღია ნაწილის ფართ. დაახლ. 45 ათ. *კმ*². ნახშირის საერთო გეოლ. მარაგია 601 მლრდ. ტ (1968), მ. შ. ღია წესით მოსაპოვებელისა — 140 მლრდ. ტ. მოპოვება დაიწყო 1904, მასიური ათვისება — 1939. ძირითადი საბადოებია: ბერეზოვოს, ბარანდატის, იტატის, ბოგოტოლის, ნაზაროვის, ირშაბოროდინის, აბანის, საიან-პარტიზანსკოეს. კ.-ა. ძ. ა. აგებულია კონტინენტური ტიპის იურული ნალექებით. ნახშირშემცველი წყების სისქეა 200—400 *მ*, სამხრ.-აღმ. ნაწილში — 700—800 *მ*. აუზში ცნობილია 20-მდე სამუშაო ფენა. კ.-ა. ძ. ა-ის დიდი წილი მურა ნახშირზე მოდის, ქვანახშირს იღებენ საიან-პარტიზანსკოეს საბადოში, რ-ის ფენათა სისქეა 1—1,5 *მ*. საბადოები ძირითადად ღია წესით მუშავდება. აქაური ნახშირი ყველაზე იაფია სსრკ-ში. პერსპექტიულია ბერეზოვოს საბადო.

კანსკი, ქალაქი რსფსრ კრასნოიარსკის მხარეში, მდ. კანის (ენისეის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგ. (კანსკ-ენისეისკი), კრასნოიარსკიდან 247 *კმ*. საავტ. გზების კვანძი. 101 ათ. მცხ. (1979). ბამბეულის, ხის დასამუშ. და საშენ მასალათა კომბინატები, მანქანათსაშ. და ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები, ბიოქიმ. ქ-ნა, კვების მრეწველობა. 4 ტექნიკუმი, პედ. და სამედ. სასწავლებლები. დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კ. დაარსდა 1626, ქალაქია 1822-იდან.

კანტაბრიის მთები (Cordillera Cantabrica), მთები ესპანეთის ჩრდ. ნაწილში, ბისკაიის ყურის სამხრ. ნაპირის გასწვრივ. სიგრძე დაახლ. 500 *კმ*, სიმაღლე 2648 *მ*-მდე (მთა ტორე-დე-სერედო). ჩრდ. კალთები ციცაბოა, სამხრ. — დამრეცი. კ. მ-ის დას. ნაწილი აგებულია პალეოზოური კვარციტებით, მარმარილოთი, კირქვებით; აღმ. ნაწილი — მეზოზოური კირქვებით, ქვიშაქვებითა და დოლომიტებით. განვითარებულია კარსტი. წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, რკინა, პოლიმეტალები. ჰავა ნოტიოა. ნალექები 1000 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. ჩრდ. კალთებზე ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეებია, სამხრ. კალთებზე—მარადმწვანე და ფოთოლმცვივანი ბუჩქნარი, 1600—1800 *მ*-ზე მაღლა—სუბალპ. ბუჩქნარი და ალპ. მდელოა.

კანტაკუზენები (Kantakuzēnoi), ფეოდალური საგვარეულო ბიზანტიაში. დაწინაურდა XI ს. ბოლოს. ფლობდნენ უზარმაზარ მამულებს თრაკიასა და სამხრ. საბერძნეთში, ეკავათ მაღალი სამხედროო თანამდებობები. განსაკუთრებით გაძლიერდნენ XIV ს-ში. მიხეილი (გ. 1316) იყო პელოპონესის მმართველი, მისი ვაჟი იოანე იმპერატორი გახდა. იოანეს ვაჟს მანუილს სამკვიდროდ ჰქონდა მორეა (აღმ. პელოპონესი), მეორე ვაჟს — მათეს — თრაკია. მორეას კ. XV ს-მდე მართავდნენ, შემდეგ ეს მხარე ხელთ იგდეს პალეოლოგოსებმა, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ერთ-ერთმა კ-მა—მანუილმა 1453 კვლავ სცადა მორეის ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხდა. კ-ის ერთ-ერთი შტო ვლახეთში დამკვიდრდა და იქ დიდი მამულები და გავლენა მოიპოვა.

კანტარი, კინტარი, წონის ერთეული შუა საუკუნეებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სამხრ. საქართველოში გავრცელდა ოსმალეთიდან. კ-ის სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო. XIX ს-ში ახალციხის მაზრაში კ. იყო 30 ოსმალური ბათმანი ანუ 220 *კგ*.

გ. ჯაფარიძე.

კანტატა (იტალ. cantata<ლათ. canto — ვმღერი), 1. დიდი ზომის ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოები სოლისტის, გუნდისა და ორკესტრისათვის. კ. შეიძლება იყოს საზეიმო, ლირიკული, სამგლოვიარო და თხრობითი ხასიათისა. გვხვდება საერო და სას. (რელიგიური) კ-ები. კ. შედგება საორკესტრო შესავლის, არიის, რეჩიტატივისა და გუნდისაგან. აღმოცენდა XVII ს. I ნახევარში იტალიაში. განსაკუთრებით განვითარდა ჯ. კარისიმის, ა. სტრადელის, ა. სკარლატისა და სხვ. შემოქმედებაში. იტალ. კ. საერო ხასიათისა იყო. სას. კ. შეიქმნა გერმანიაში. სას. და საერო კ-ების მაღალმხატვრული ნიმუშები შექმნა ი. ს. ბახმა. პირველი რუს. კ. შეიქმნა XVIII ს-ში. XIX ს. II ნახევარში მნიშვნელოვანი კ-ები დაწერეს პ. ჩაიკოვ-



ი. კანტი.

სკიმ, ს. ტანეევმა, ს. რახმანინოვმა. ქართ. კ-ები შექმნეს: ზ. ფალიაშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, ო. თაქთაქიშვილმა, რ. ლაღიძემ, ნ. სვანიძემ, ა. ჩიმაკაძემ და სხვ. 2. დიდი ზომის ლირიკულ-ეპიკური სასიმღერო ლექსი. ჩაისახა XVII ს. იტალიაში, სადაც იგი საერო ხასიათისა იყო. გერმანიაში შეიქმნა სას. კ.

ლიტ.: Хохловкина А., Советская оратория и кантата, М., 1955.

კანტაური, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (ზვარეს სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, ქედიდან 8 *კმ*. წონიარისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. წონიარისში (2 *კმ*).

კანტელე (ფინ. kantele), კარელურ-ფინური სიმებიანი მუსიკალური საკრავი. ენათესავება ესტ. კანელეს, ლატვ. კოკლეს, ლიტვ. კანკლესს და რუს. ფრთისებრ (ყლარუნა) *გუსლის*.

კანტემირი ანტიოხ დიმიტრის ძე [10 (21). IX. 1708, კონსტანტინოპოლი, — 31. III (11. IV). 1744, პარიზი], რუსი პოეტი, დიპლომატი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1725. ურთიერთობა ჰქონდა მონტესკიესთან, ვოლტერთან; ავრცელებდა განმანათლებლურ იდეებს. რუს. კლასიციზმისა და ახ. სატირული პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მთელი მისი მოღვაწეობა და შემოქმედება, კერძოდ, მისი ორიგინ. სახელგანთქმული 9 სატირა („საკუთარი გონებისადმი ანუ სწავლის გამკიცხველებზე", „ფილარეტი და ევგენი ანუ ავზნიან აზნაურთა შურსა და ამპარტავნობაზე", „აღზრდის შესახებ" და სხვ.) გამიზნული იყო პეტრე I-ის რეფორმებისა და იდეების დასაცავად.

თხზ.: Собр. стихотворений, Л., 1956.

კანტი (Kant) იმანუელ (22. IV. 1724, კენიგსბერგი, ახლანდ. კალინინგრადი,— 12. II. 1804, იქვე), გერმანელი ფილოსოფოსი. 1745 დაამთავრა კენიგსბერგის უნ-ტი. პირველი ნაშრომი „ცოცხალ ძალთა ჭეშმარიტი შეფასების შესახებ" გამოსცა 1747. ხელმოკლეობის გამო 9 წელი კერძო მასწავლებელი იყო. ამ ხანში გამოაქვეყნა ათამდე ნაშრომი, მ. შ. „ცის თეორია" (1755), რ-საც ენგელსმა „გენიალური აღმოჩენა" უწოდა (მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩ. ნაწერები, ტ. 2, თბ., 1950, გვ. 68). 1755-იდან იყო კენიგსბერგის უნ-ტის პრივატ-დოცენტი, 1770-იდან— პროფესორი. 1770-იდან ხელმძღვანელობდა კათედრას. ორჯერ (1786 და 1788) აირჩიეს რექტორად. ლექციებს კითხულობდა მეტაფიზიკაში, ლოგიკაში, ეთიკაში, ფიზიკაში, ფიზ. გეოგრაფიაში და სხვ. 1781 გამოიდა კ-ის ნაშრომი „წმინდა გონების კრიტიკა", 1783 — „პროლეგომენები"..., 1788—„პრაქტიკული გონების კრიტიკა", 1790—„მსჯელობის უნარის კრიტიკა" და სხვ. 1794 მთავრობამ აკრძალა მისი ნაშრომი „რელიგია მხოლოდ გონების ფარგლებში". 1797 თავს ანებებს ლექციების კითხვას. 1793 განიზრახა თავის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, მაგრამ ვერ განახორციელა. 1838 დაიწყო კ-ის ნაშრომთა გამოცემა (როზენკრანცისა და შუბერტის, აგრეთვე ჰარტენშტაინის რედაქციით). 1910 გამოვიდა კ-ის აკად. გამოცემის 1 ტ. დღეისათვის გამოსულია 29 ტომი. 1898 გამოდის სპეც. ჟურნ. „Kantstudien". 1904-იდან არსებობს კ-ის საზ-ბა. როდესაც კ. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, ევრ. რაციონალიზმი და ემპირიზმი ჩიხში იყო მოქცეული. კ. წერდა, რომ იგი *იუმმა* გამოაღვიძა „დოგმატური ძილისაგან", ე. ი. დააეჭვა ლაიბნიც-ვოლფის ფილოს. სამართლიანობაში. მან ერთმანეთისაგან გაანასხვავა ლოგიკური და რეალური საფუძველი, შემოიტანა ფილოსოფიაში უარყოფითი სიდიდეების ცნება, დაინახა კავშირი მეტაფიზიკასა და მისტიკურ მეოცნებეობას შორის. იუმის სკეპტიციზმი კ-თვის მიუღებელი იყო. ამიტომ იგი ცდილობდა მეტაფიზიკისათვის ეშველა, ერთი მხრით, მათემატიკასა და ნიუტონის ფიზიკასთან მისი დაკავშირებით, მეორე მხრით, ღვთის არსებობის ახ., უეჭველი დასაბუთების გამონახვით. ამდენად კ. მაინც ლაიბნიც-ვოლფის სკოლის წარმომადგენელია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ სკოლას აკრიტიკებდა. როცა კ. შემეცნების ახ. პრინციპებს დაადგენს და ღვთის არსებობის თეორ. დასაბუთების შესაძლებლობას უარყოფს, იწყება მისი ფილოს. განვითარების მეორე, ე. წ. კრიტიკული პერიოდი. პირველ პერიოდს ეწოდება დოგმატური, რადგან მაშინ კ. აღიარებდა შემეცნების შესაძლებლობას წინასწარი შემოწმების — კრიტიკის გარეშე.

კ-ის მტკიცებით მათ. და ფიზ. მეცნიერებათა არსებობა იმას ნიშნავს, რომ არსებობს ჭეშმარიტება. ფილოსოფიას უფლება არა აქვს უარყოს ეს ფაქტი, მას შეუძლია მხოლოდ დაადგინოს მისი შესაძლებლობის პირობები. კ-ის აზრით, ძველოის ფილოსოფიამ ეს საკითხი ვერ გადაწყვიტა, რადგან მისთვის ამოსავალი იყო ის, რომ ჭეშმარიტი აზრი საგანს უნდა ეთანხმებოდეს. კ. მოითხოვს საპირისპირო პრინციპის დაშვებას, რ-ის მიხედვით საგნები ექვემდებარება ჩვენს შემეცნებას. ამ რადიკალურ შემობრუნებას ფილოსოფიაში იგი „კოპერნიკისებურ რევოლუციას" უწოდებს. მისი შეხედულებით ახ. ფილოსოფიამ ეს პრინციპი უნდა დაუდოს საფუძვლად შემეცნების ბუნების ახსნას, მისი საზღვრების დადგენას, აგრეთვე იმის გარკვევას, თუ რისი ცოდნა შეიძლება ამ საზღვრების მიღმა; ამრიგად, კ-ის მიზანი საერთოდ მეტაფიზიკის უარყოფა კი არ არის, არამედ მისი ახლებური დასაბუთებაა.

მსჯელობების სახით არსებული მეცნ. შემეცნება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ანალიზურ მსჯელობებზე, რ-ებშიც მხოლოდ სუბიექტის ცნებაში ნაგულისხმევის ცხადყოფა ხდება. შემეცნებაში უნდა დადგინდეს ახალი; მსჯელობის სუბიექტს რაღაც მისგან განსხვავებული უნდა მიეწეროს და თანაც აუცილებლობით. ამგვარ მსჯელობებს კ. სინთეზურ მსჯელობებს უწოდებს. კ-მდე სინთეზურ მსჯელობებს მხოლოდ ცდისეულად, ე. ი. აპოსტერიორულად თელიდნენ. „წმინდა გონების კრიტიკის" ამოცანაა დაასაბუთოს სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობა აპრიორულად, ე. ი. ცდისაგან დამოუკიდებლად.

ამ ამოცანის განსახორციელებლად კ. ერთმანეთისაგან თიშავს მეცნ. შემეცნებასა და მისგან დამოუკიდებელ სინამდვილეს, რ-საც ნოუმენების ანუ თავისთავადი ნივთის სფეროს უწოდებს. თავისთავადი ნივთი მოქმედებს ჩვენზე, მისგან გამოწვეული შეგრძნებები მხოლოდ მასალაა, რ-იც მოწესრიგდება გრძნობადის აპრიორულ ფორმებში (დრო და სივრცე) და შეკავშირდება განსჯის აპრიორული წესებით (კატეგორიები). ასეა აგებული შემეცნების საგანი, ანუ მოვლენა, რ-იც თავისთავადი ნივთის შესახებ მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ იგი არსებობს. სხვანაირად, შემეცნების საგანი შემეცნებაშივე აიგება. ამ საგანში ამოვიკითხავთ მხოლოდ იმას, რაც ჩვენმა შემეცნებამ არაცნობიერად შეიტანა მასში. ყველაფერი, რასთანაც შემეცნებას მიმართება აქვს (საკუთარი მეს ჩათვლით), იქცევა მოვლენად, რ-იც ვერაფერს გვეტყვის ამავე საგნის, როგორც თავისთავადი ნივთის შესახებ.

თეორიული გონების ჯოველგვარი ცდა გასცილდეს ცდის ანუ მოვლენების სფეროს, კ-ის მიხედვით, წარმოშობს გარდაუვალ წინააღმდეგობებს, რაც საფუძვლად დაედო რაციონალურ ფსიქოლოგიას (პარალოგიზმები), რაციონალურ კოსმოლოგიას (ანტინომიები) და რაციონალურ თეოლოგიას (ჰიპოსტაზირებული იდეა). კ-ის ამ კრიტიკის მიზანი იყო არა ღვთის თავისუფლების და სულის უკვდავების უარყოფა, არამედ მათ შესახებ მეცნ. ცოდნის შეუძლებლობის დასაბუთება. მაშინდელმა გერმ. სიც.-პოლიტ. ჩამორჩენილობამ თავისი დაღი დაასვა კ-ის თეორიას. „ჩემი მიზანი იყო შემეზღუდა ცოდნა, რათა ადგილი მიმეცა რწმენისათვის", წერდა იგი. დუალიზმმა, რ-იც კ-ის შემეცნების თეორიაში *აგნოსტიციზმში* გადაიზარდა, განაპირობა მისი ეთიკის აბსტრაქტული ხასიათი და სხვა ნაკლოვანებანი.

კ-ის ეთიკის თანახმად, ადამიანი თავისუფალია გადაწყვეტილებათა მიღებაში. მას შეუძლია არ დაემორჩილოს მოვლენათა სფეროს აუცილებლობას, იმოქმედოს *კატეგორიული იმპერატივის* მიხედვით. კატეგორიული იმპერატივი მოითხოვს: მოიქეცი ისე, რომ შენს მოქმედებაში ადამიანი „ყოველთვის იყოს აგრეთვე მიზანი და არასდროს მხოლოდ საშუალება". ამგვარად, კ-ის ეთიკა ავტონომიურია, იგი უარყოფს რელიგიაზე დაფუძნებულ მორალს.

კ-მა ვერ შეძლო მოვლენებისა და თავისთავადი ნივთის, არსისა და ჯერარსის, თავისუფლებისა და აუცილებლობის სფეროთა დაკავშირება. ამას თავადაც გრძნობდა. ამიტომ 1787, როცა მიიჩნია, რომ აღმოაჩინა მესამე სახის, სიამოვნება-უსიამოვნების აპრიორული პრინციპები, შრომაში „მსჯელობის უნარის კრიტიკა" სცადა საძიებელი კავშირის დადგენა. მსჯელობის უნარის ძირითადი ობიექტი (მშვენიერი) არის ის, რაც არსებობს არსის სფეროში, მაგრამ მაინც თავისთავადი ღირებულება აქვს. მშვენიერის აუცილებლობა არც თეორიულია და არც პრაქტიკული. იგი ნიმუშისაგან, მისაბაძისაგან გამომდინარე აუცილებლობაა. მშვენიერის გარდა თავისთავად მოწონებას იმსახურებს ამაღლებულიც, მაგრამ თუ მშვენიერი ისე ზემოქმედებს ჩვენზე, თითქოს ბუნებაში მიზანშეწონილობას ჰქონდეს ადგილი, ამაღლებულის გამომწვევი ჩაგრავს ჩვენს გრძნობებს, რაც გვაქეზებს დავტოვოთ გრძნობადობის სფერო და გონების მაღალ მიზანშეწონილობას მივენდოთ.

ადამიანის ყველა უნარს შორის პრიმატი აქვს პრაქტიკულს, ამიტომ კულეევის საბოლოო მიზანია ადამიანი, როგორც მორალური ანუ თავისუფალი არსება. საზ-ბის ისტორია კ-ს ესმის როგორც ადამიანის თავისუფლების მზარდი გამოვლინება. ადამიანთა თავისუფალი გადაწყვეტილებების გადაჯაჭვა ბუნების ზოგადი კანონზომიერების გარკვეულ ფორმას იღებს. ამიტომ ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გეგმაზომიერი პროცესი. ეს თავს იჩენს ცალკეული პიროვნებების, ხალხების, სახელმწიფოების ურთიერთსაპირისპირო მოქმედებაში. ასე უახლოვდება კაცობრიობა მარადიულ მშვიდობას, როგორც ისტ. მიზანს. კ-ის მიხედვით ანტაგონიზმი არის ისტორიულად აუცილებელი და საყოველთაო მამოძრავებელი ძალა, რ-საც „საყოველთაო სამართლიან სამოქალაქო საზოგადოებაშიც" სრული ძალა აქვს.

„წმინდა გონების კრიტიკაში" დასმულ სამ ძირითად კითხვას (რა შეიძლება ვიცოდე? რა უნდა გავაკეთო? რისი იმედი შეიძლება მქონდეს?) კ-მა 1793 დაუმატა გამაერთიანებელი კითხვა: რა არის ადამიანი? ამაზე პასუხი უნდა გაეცა კ-ის მიერ გამოცემულ უკანასკნელ ნაშრომს „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალსაზრისით" (1798). ამ წიგნში, რ-საც კ-ის ხანდაზმულობისა და მისი მეთოდის ამოწურვის კვალი ატყვია, საკითხი მაინც სწორად იყო დასმული: რა არის კონკრეტული ადამიანი და რისი მიღწევა შეუძლია მას ამქვეყნიურ ცხოვრებაში. სწორია სახელმძღვანელო პრინციპიც: „ადამიანის გვარი უნდა იყოს და მას შეუძლია იყოს თავისი ბედნიერების შემოქმედი". მაგრამ ამის დასაბუთება შეუძლებელია იდეალიზმის ნიადაგზე: ადამიანი, კ-ის მიხედვითაც, საბოლოოდ მარionეტია ღვთის ხელში.

პეგელის ფილოს. კრახის შემდეგ ბურჟ. ფილოსოფიაში კ-ის მოძღვრების ონტოლოგისტური (როგორც რაციონალისტური, ისე ირაციონალისტური) ინტერპრეტაციების ადგილი დაიკავა შემეცნებით-თეორ. ინტერპრეტაციებმა (ნეოკანტიანელობა). XX ს. 20-იანი წლებიდან გაბატონდა ახ. ონტოლოგისტური ინტერპრეტაციები (კრიტ. ონტოლოგია, ეგზისტენციალიზმი და სხვ.). დღეს ძირითადად გავრცელებულია კომპრომისული ხასიათის ინტერპრეტაციები.

„კანტის ფილოსოფიის ძირითადი ნიშანია, — წერდა ლენინი, — მატერიალიზმის შერიგება იდეალიზმთან, კომპრომისი მათ შორის, ერთ სისტემაში სხვადასხვაგვარი, მოწინააღმდეგე ფილოსოფიური მიმართულებების შეთავსება“ (*თხზ.*, გამოც. მე-4, ტ. 14, გვ. 311). ამის გამო კ-ს აკრიტიკებდნენ მატერიალისტებიც: ლ. ფოიერბახი, ნ. ჩერნიშევსკი, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინი, („კრიტიკა მარცხნიდან“) და იდეალისტებიც („კრიტიკა მარჯვნიდან“).

კ. მარქსი კ-ს, ფიხტესა და სპინოზასთან ერთად მორალის სფეროში აზროვნების გმირად თვლიდა (Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 1, с. 13), ხოლო ფ. ენგელსი კ-ისა და საერთოდ გერმ. იდეალიზმის ჭეშმარიტ მემკვიდრედ გერმ. მუშათა მოძრაობას მიიჩნევდა (Маркс К., Энгельс Ф., რჩ. ნაწერები, ტ. 2, თბ., 1950. გვ. 483).

თხზ.: Gesammelte Schriften, Bd. 1—23, B., 1910—55; Werke, Bd. 1—11, B., 1912—23; Соч., т. 1—6, М., 1963—66; პროლეგომენები ყოველი მოსალოდნელი მეტაფიზიკისათვის, რომელიც მეცნიერების სახით შესძლებდა გამოცხადებას, თარგმ. და წინასიტყვ. მ. გოგიბერიძისა, ტფ., 1936; წმინდა გონების კრიტიკა. თარგმ. შ. პაპუაშვილისა, თბ., 1979.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Святое семейство, Соч., 2 изд., т. 2; ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954; მისივე, ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970; ლენინი ვ. ი., მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 14; ბერაძე კ., ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969; მისივე, დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში, თბ., 1971; ბოჭორიშვილი ა., კანტის ესთეტიკა, თბ., 1967, გოგიბერიძე მ., მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, ტფ., 1928; დანელია ს., კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, თბ., 1977; თევზაძე გ., იმანუელ კანტი, თბ., 1974; ნუცუბიძე შ., ფილოსოფიის შესავალი, ნაწ. 1, ტფ., 1920, წერეთელი ს., არისტოტელესის და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კატეგორიების შესახებ, «თსუ შრომები», 1936, ტ. 3. *გ. თევზაძე.*

კანტი (Canth) მინა (ნამდვ. სახელი ულრიკა ვილჰელმინა, ქალიშვილობის გვარი იონსონი — Johnson) (19. III. 1844, ტამპერე, — 12. V. 1897, ქ. კუოპიო), ფინელი მწერალი. ადრინდ. ნაწარმოებებში გამოდიოდა სოც. უსამართლობის, ექსპლუატაციის წინააღმდეგ, იცავდა ქალთა თანასწორუფლებიანობის იდეას (პიესები „მუშის ცოლი“, 1885; „მწარე ბედის შვილები“, 1888; ნოველები „ლარიბები“, 1886; „კანონის მიხედვით“, 1889 და სხვ.). 90-იან წლებში კ. თანდათან ჩამოშორდა კრიტ. რეალიზმს. მის ნაწარმოებებში გაჩნდა ბურჟ. სინამდვილესთან შემრიგებლური მოტივები („პასტორის ოჯახი“, 1891; „ანა ლიისა“, 1895 და სხვ.).

კანტი (Kant) ჰერმან (დ. 14. VI. 1926, ჰამბურგი), გერმანელი (გდრ) მწერალი და პუბლიცისტი. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო ნოველების კრებულით „ერთი ბეწო სამხრეთული ზღვა“ (1962). რომანებში „საექტო დარბაზი“ (1965) და „იმპრესუმი“ (1972) ასახავს სოციალ. იერმანიაში ზოგიერთ კონფლიქტურ ვითარებას და სვამს ახ. ადამიანის მორალის საკითხს. კ-ის პროზისათვის დამახასიათებელია რეტროსპექციის ესეისტური წიაღსვლების, ჟურნალისტური ჩანართების, ინტელექტუალური და ირონ. დისტანციის ხერხის ჭარბი გამოყენება.

კანტილენა (იტალ. cantilena<ლათ. cantilena — მღერა), 1. მღერადი ვოკალური ან საკრავიერი მელოდია. 2. მუსიკის, მუს. შესრულების მელოდიურობა, მღერადობა. 3. XIII—XV სს. დას. ევროპაში — მცირე ზომის ლირიკულ-ეპიკური ხასიათის ერთხმიანი და მრავალხმიანი საერო ვოკალური ნაწარმოების და საეკლესიო სიმღერის სახელწოდება. 4. XVII ს. დასასრულიდან — მღერადი მელოდიის მქონე სიმღერა ან სხვ. მუს. ნაწარმოები. 5. მცირე ზომის ლირიკულ-ეპიკური სასიმღერო ლექსი, რ-იც გავრცელებული იყო უმთავრესად შუა საუკ. დას. ევრ. ლიტერაში. ცნობილია IX ს. ძვ. ფრანგ. „წმ. ევლალიას კანტილენა“ და იტალ. „ბელუნოს კანტილენა“.

კანტო, ტოკიოს ვაკე, დაბალი ვაკე კ. ჰონსიუზე, წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ. წარმოადგენს მდინარეული და ზღვიური ნალექებით ამოვსებულ ტექტონ. ღრმულს. ახლო გეოლ. წარსულში კ. ტოკიოს ყურეს ეჭირა. ხშირია მიწისძვრა. 1923 მიწისძვრამ დაანგრია ქ. ტოკიო. კ-ზე მდინარეებისა და არხების ხშირი ქსელია. ჰავა ნოტიოა, ზომიერი. ნალექები 2000 *მმ*-მდე წელიწადში.

კანტონი (ფრანგ. canton — ოლქი), 1. შვეიცარიაში ტერიტორიული ფედერალური ერთეულის სახელწოდება. თითოეულ კ-ს აქვს საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო და აღმასრ. ხელისუფლების ორგანოები. ფედერალური პარლამენტის ზედა პალატაში ყოველ კ-ს წარმოადგენს 2 დეპუტატი. 2. ადმ.-ტერ. ერთეული ბელგიასა და საფრანგეთში. საფრანგეთში დეპარტამენტის გენ. საბჭოს არჩევნების დროს კ. ითვლება აგრეთვე საარჩევნო ოლქად.

კანტონი (Canton), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ოჰაიოს შტატში. 108 ათ. მცხ., საგარეუბნო ზონიანად — 400 ათ. (1974). სარკინიგზო კვანძი. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 50% დასაქმებულია მრეწველობაში. კ. აშშ-ის ელექტროფოლადისა და გორგოლაჭსაკისრების წარმოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია. სამრეწვ. მოწყობილობის, ძრავების, ელექტროსაყოფაცხოვრებო მანქანების, რეზინისა და პლასტმასის ნაკეთობათა, საშენ მასალათა წარმოება. კ-ის რ-ნში იღებენ ქვანახშირს.

კანტონი, ქალაქი სამხრ. ჩინეთში, იხ. *გუანჯოუ.*

კანტონის ყურე, სამხრ. ჩინეთის ზღვის ყურის ძვ. სახელწოდება ჩინეთის ნაპირთან. იხ. *ჯუძიანკოუ.*

კანტორი (Cantor) გეორგ (3. III. 1845, პეტერბურგი,—6. I. 1918, ჰალი), გერმანელი მათემატიკოსი. 1867 დაამთავრა ბერლინის უნ-ტი. დაამუშავა უსასრულო სიმრავლეთა და *ტრანსფინიტური რიცხვების* თეორიები. 1874 დაამტკიცა, რომ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე არ არის თვლადი (იხ. *თვლადი სიმრავლე*) და ამით დაადგინა არაკვივალენტური, ე. ი. სხვადასხვა სიმძლავრის მქონე სიმრავლეების არსებობა. 1878 ჩამოაყალიბა სიმრავლის სიმძლავრის ზოგადი ცნება. 1879—84 სისტემატურად გადმოსცა თავისი მოძღვრების პრინციპები სიმრავლის უსასრულობის შესახებ. კ-მა შემოიღო ზღვრული წერტილისა და წარმოებული სიმრავლის ცნებები, ააგო სრულყოფილი სიმრავლის მაგალითი (ე. წ. კანტორის სიმრავლე), განავითარა ირაციონალურ რიცხვთა ერთ-ერთი თეორია, ჩამოაყალიბა უწყვეტობის ერთ-ერთი აქსიომა (იხ. *კანტორის აქსიომა*). 1897 შეწყვიტა სამეცნ. მოღვაწეობა.

თხზ.: Gesammelte Abhandlungen mathematischen und philosophischen Inhalts, B., 1932; Учение о множествах, «Новые идеи в математике», сб. 6.

კანტორის აქსიომა, წრფის უწყვეტობის დამახასიათებელი ერთ-ერთი აქსიომა, რ-ის თანახმად ერთმანეთში ჩალაგებული იმ სეგმენტების (იხ. *ინტერვალი* და *სეგმენტი*) ნებისმიერ მიმდევრობას, რ-თა სიგრძეები ნულისაკენ მიისწრაფვის, აქვს ერთი საერთო წერტილი. კ. ა. ჩამოაყალიბა გ. *კანტორმა* 1872.

კანტოროვიჩი ლეონიდ ვიტალის ძე [დ. 6 (19). I. 1912, პეტერბურგი], საბჭ. მათემატიკოსი და ეკონომისტი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1964). 1930 დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი. ამ უნ-ტის მასწავლებელი (1932—34), პროფესორი (1934—60). 1958-71 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბაში, 1971-იდან კი—სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტის სახ. მეურნ. მართვის ინ-ტში. კ-ის პირველი მეცნ. შედეგები ეხებოდა პროექციულ სიმრავლეთა თეორიას. ფუნქციონალურ ანალიზში მან შემოიტანა და შეისწავლა ნახევრად დალაგებულ სივრცეთა კლასი (*K*-სივრცეები). პირველმა გამოიყენა ფუნქციონალური ანალიზი გამოთვლითს მათემატიკაში. განავითარა მიახლოების მეთოდების ზოგადი თეორია, შექმნა ოპერატორული განტოლებების ამოხსნის ეფექტური მეთოდები. 1939—40 საფუძველი ჩაუყარა წრფივ დაპროგრამებას. დაადგინა ოპტიმალური ეკონ. მოდელების ანალიზის დროს წარმოქმნილი ობიექტურად გაპირობებული შეფასებების მნიშვნელობა.

გ. კანტორი.

კ. არის მრავალი ქვეყნის უნ-ტის საპატიო დოქტორი, სსრკ სახელმწ. პრემიის (1949), ლენინური პრემიის (1965) და ნობელის პრემიის (1975) ლაურეატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Математические методы организации и планирования производства, Л., 1939.

ლიტ.: Леонид Витальевич Канторович, «Успехи математических наук», 1962, т. 17, в. 4; 1972, т. 27, в. 3.

ლ. კანტოროვიჩი.

კანტუს ფირმუსი (ლათ. cantus firmus, სიტყვასიტყვით — მყარი, უცვლელი მელოდია), მელოდია, რ-იც მთელი კონტრაპუნქტული ნაწარმოების თემატური საფუძველია. კ. ფ-ის საფუძველზე ნაწარმოების შექმნის მეთოდი ჩამოყალიბდა დას. ევრ. მუსიკაში XII ს-ში. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა XVI ს-ში; XVII ს-იდან კი დაკარგა თავისი ადრინდ. მნიშვნელობა.

კანუნნამე, კანონის წიგნი, საკანონმდებლო აქტებისა და კოდექსების საერთო სახელწოდება მუსლიმანურ სახელმწიფოებში. ყველაზე ბევრი კ. შეიქმნა ოსმალეთში. ისინი ასახავდნენ ოსმ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. განვითარების ეტაპებს. პირველ სულთნების კ-ებს ჩვენამდე არ მოუღწევია, XV ს. II ნახევარში დაიწყო მათი კრებულებად შედგენა. ცნობილია მეჰმედ II-ის, სელიმ I-ისა და სულეიმან კანუნის კ-ები. ძირითადი კ-ების გარდა, რ-ებიც მთელ სახელმწიფოს ეხებოდა, კ-ებს ადგენდნენ ცალკეული მხარეებისა და ობიექტებისთვისაც (მნიშვნელოვანი ციხის, საბაჟოსა და სხვ.). დაპყრობილი ქვეყნებისათვის შედგენილი კ-ები ითვალისწინებდნენ ოსმ. წესების, კერძოდ, საგადასახადო სისტემის შემოღებას, ამიტომ ისინი ზოგჯერ წინ უსწრებდნენ საგადასახადო დავთრებს, მ. შ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“. ცნობილია აგრეთვე გურჯისტანის 1537—74 კ., განჯის 1727 კ. და სხვ. თურქეთში კ-ების მხოლოდ ნაწილია გამოცემული. *ვ. ჩოჩიევი.*

კანურეები (ცნობილი არიან ბერიბერების სახელითაც), ხალხი ჩრდ.-აღმ. ნიგერიაში. ცხოვრობენ აგრეთვე ნიგერის რესპ. სამხრ.-აღმ. ნაწილში და ჩადის ტბის აღმ. სანაპიროზე (რესპ. ჩადი). რაოდ. მონათესავე ხალხებთან ერთად დაახლ. 3 მლნ. კაცი (1970, შეფასება). კ-ის ენა განეკუთვნება კანური-ტუბუს. უმრავლესობა მუსლიმანია (ისლამი გავრცელდა XI ს-ში). შემორჩენილია აგრეთვე ძვ. ევროვნ.-ტომობრივი კულტების გადმო-

კანჯარი.

ხ. რ. კაპაბლანკა.

კაპადოკიური მონეტა. არიობარზანე I (ძვ. წ. 91-63). ვერცხლი. ზემოთ—შუბლი, ქვემოთ—ხურგი. საქართვ. სახელმწ. მუზეუმი. თბილისი.

ნაშთები. დაახლ. IX ს-ში შექმნეს სახელმწ. გაერთიანება (კანემ-ბორნუ). მისდევენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ფეოდ. ურთიერთობანი გადახლართულია კაპიტალიზმის ჩანასახებთან.

კანფეტი (იტალ. confetto < ლათ. confectus — დამზადებული), საკონდიტრო ნაწარმი; ამზადებენ შაქარ-ბადაგის სიროფისაგან, რ-საც უმატებენ სხვადასხვა საკვებ ნედლეულს. განასხვავებენ მოჭიქულ, მოუჭიქავ და შოკოლადის კ-ებს. კ-ს ზედაპირზე შეიძლება მოყრილი ჰქონდეს კაკაოს ფხვნილი, შაქრის პუდრი, ნიგვზის, ვაფლის ან შოკოლადის ნამცეცები და სხვ. კ-ის მასის მიხედვით, რ-ისგანაც კ-ის სატენია დამზადებული, განასხვავებენ პომადის, ხილის, რძის, ნიგვზის, ლიქიორის, გრილიაჟისა და სხვა სახის კ-ებს. კ-ის მასა სხვადასხვაგვარია (კომბინირებული, მრავალშრიანი, ვაფლიანი და სხვ.). კ-ის დამზადების ტექნოლოგია შემდეგი ოპერაციებისაგან შედგება: კ-ის მასის მომზადება, მისგან ცალკეული კორპუსების დაყალიბება და მათი მოპირკეთება, კ-ის შეფუთვა ან ყუთებში ჩაწყობა.

კანჩალანი, მდინარე რსფსრ ჩუკოტკის ავტონ. ოკრუგსა და მაგადანის ოლქში. სიგრძე 426 *კმ*, აუზის ფართ. 20,6 ათ. *კმ*^{2}. სათავე აქვს მთა ტუმანაიაზე. მიედინება ანადირის დაბლობზე გაშლილ ხეობაში. ერთვის ბერინგის ზღვის ანადირის ყურეს. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. იყინება შუა ოქტ-ში, ყინულძერავ ივნ. დასაწყისში. სანაოსნოა შესართავიდან 50 *კმ*-ზე.

კანჩენჯანგა, მთის მასივი ჰიმალაის მთათა სისტემაში. სიმაღლე 8585 *მ*-მდე. აგებულია გნაისებით, გრანიტებით, კრისტ. ფიქლებით. აქვს წვეტიანი მწვერვალები, ციცაბო კალთები. ძლიერი გამყინვარების კერაა (მყინვარები ზემუ, კანჩენჯანგა და სხვ.).

კანჩიპურამი, ქალაქი სამხრ ინდოეთში, მდ. პალარის ნაპირზე, ტამილნადის შტატში. 110,5 ათ. მცხ. (1971). განთქმულია ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, სარის (ინდ. ეროვნ. ქალის ტანსაცმელი) შინამრეწველური წარმოებით. ინდუსების რელიგ. ცენტრი. ინდ. ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. მრავალრიცხოვანი არქიტ. ძეგლები.

კანცეროგენური ნივთიერებები (ლათ. cancer—კიბო და ბერძნ.... genēs—წარმომშობი, წარმოშობილი), კანცეროგენები, კარცინოგენები, ქიმიური ნივთიერებები, რ-ებიც ორგანიზმზე მოქმედებისას იწვევენ კიბოს ან სხვა ავთვისებიან სიმსივნეებს, აგრეთვე კეთილთვისებიან ახალწარმონაქმნებს. ცნობილია სხვადასხვა ქიმ. ბუნების რამდენიმე ასეული კ. ნ. ყველაზე ძლიერი კ. ნ-ია ზოგიერთი პოლიციკლური ნახშირწყალბადი, რ-ის მოლეკულა შეიცავს ფენანტრენის ჯგუფებს, აგრეთვე აზოსაღებარები, არომატული ამინები, ნიტროზამინები და სხვ. მაალკილირებელი ნაერთები. კ. ნ. აღმოჩენილია ზოგიერთ საწარმო პროდუქტში, საწარმო ნარჩენებით გაჭუჭყიანებულ ჰაერში, თამბაქოს კვამლში და ა. შ.

ერთსა და იმავე კ. ნ-ს სხვადასხვა ადგილზე ზემოქმედებისას შეუძლია სხვადასხვა სახის სიმსივნე გამოიწვიოს; ერთი სახის სიმსივნე შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა კ. ნ-ით. ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განარჩევენ 3 ჯგუფის კ. ნ-ს: 1. ადგილობრივი მოქმედების; 2. ორგანოტროპულს, რ-ებიც კიბოს იწვევენ კ. ნ-ს ორგანიზმში შეყვანის ადგილას კი არა, არამედ ამა თუ იმ ორგანოში; 3. მრავლობითი მოქმედების, რ-ებიც სხვადასხვა ორგანოში იწვევენ ნაირგვარ სიმსივნეს. კ. ნ-ის ეფექტი დამოკიდებულია როგორც დოზის, ისე ზემოქმედების ხანგრძლივობაზე. კ. ნ-ის დაგროვება ორგანიზმში აძლიერებს მათ მოქმედებას, ახალწარმონაქმნები აღმოცენდება პირველი ზემოქმედებიდან დიდი ხნის გასვლის — ორგანიზმის სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობის — 1/5—1/7-ის შემდეგ (ადამიანისათვის ეს ვადა 15—20 წელს აღწევს, თაგვისათვის — 4—6 თვეს).

კანცეროგენური ნახშირწყალბადები ქიმ. აღნაგობით ბევრი ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერების — *სასქესო ჰორმონების, ნაღვლის მჟავეებისა* და სხვ. სტეროიდების — ქიმ. აღნაგობის მსგავსია. დადგენილია, რომ სტეროიდული ცვლის მოშლისას, კ. ნ. ორგანიზმშივე წარმოიქმნება. კანცეროგენური ბუნებისაა ზოგიერთი ამინომჟავის, მაგ., ტრიპტოფანის, მეტაბოლიტები. როგორც ირკვევა, კანცეროგენური მოქმედება დაკავშირებულია კ. ნ-ის მოლეკულის გარკვეული ნაწილის ქიმ. აქტივობასა და ელექტრონულ აღნაგობასთან („კ-უბანი"), რ-ითაც იგი უკავშირდება უჯრედის გარკვეულ კომპონენტებს (როგორც ჩანს, ნუკლეინის მჟავეებსა და ზოგიერთ ცილას). ბევრ კ. ნ-ს მუტაგენური მოქმედების უნარი აქვს (იხ. *მუტაგენები, მუტაგენეზი*), რაც მხედველობაშია მისაღები კანცეროგენეზის მექანიზმების განხილვისას.

კ. ნ-ის ბუნების, გავრცელებისა და ორგანიზმზე მოქმედების მექანიზმების შესწავლას, აგრეთვე ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაცვას კანცეროგენური მინარევების შემცველი საწარმო ნარჩენებისაგან მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის, სიმსივნეთა პროფილაქტიკისათვის. *დ. ჯოხაძე.*

კანცლერი (გერმ. Kanzler), 1. შუა საუკუნეების ევროპის ფეოდალურ სახელმწიფოებში — უმაღლესი თანამდებობის პირი, რ-იც მეთაურობდა სამეფო კანცელარიასა და არქივს, იცავდა სახელმწ. ბეჭედს და ა. შ. 2. მეფის რუსეთში სახელმწ. კ.— უმაღლესი სამოქალაქო ჩინი. 3. გერმანიაში (1871—1945) რაიხსკანცლერი — მთავრობის, 1934-იდან სახელმწიფოს მეთაური. 4. გფრ-სა და ავსტრიაში ფედერალური კ. — მთავრობის მეთაური. 5. დიდ ბრიტანეთში ხაზინის კ. — ფინანსთა მინისტრი, ლორდ-კ. — ლორდთა პალატის თავ-რე.

კანცონა (იტალ. canzone — სიმღერა), ლირიკული ლექსი რაინდულ სიყვარულზე შუა საუკუნეების პოეზიაში. თავდაპირველად წარმოიქმნა პროვანსში, შემდეგ გავრცელდა მთელ საფრანგეთსა და იტალიაში (XIII—XVII სს.), სადაც დადგინდა მისი საბოლოო სახელწოდება. კ-ს ფორმა სტროფულია (5—7 სტროფი). მისი კლასიკური ნიმუშები შექმნეს დანტემ და პეტრარკამ, აგრეთვე ბოკაჩომ, გ. გვინიცელიმ, გ. კავალკანტიმ, ჩინო და პისტოიამ. კ. თავიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსიკასთან. XVI—XVII სს. იტალიაში გაჩნდა საკრავიერი კ-ები. კ-ებს წერდნენ კომპოზიტორები ა. ვაბრიელი, კ. მერულო, ჯ. ფრესკობალდი, დ. ბუქსტეჰუდე და ი. ს. ბახი. კ-ის განვითარებამ გამოიწვია საანსამბლო ჟანრის — *კონჩერტო გროსოს* — წარმოშობა. კლავიშიანი საკრავების კ-ები თანდათანობით გადაიზარდა ფუგაში, ხოლო თანხლებიანი სოლო საკრავის კ-მ განაპირობა სონატის წარმოშობა. XVIII—XIX სს-ში სახელწოდება „კ." იხმარება ვოკალური და საკრავიერი ლირ. მუს. პიესების აღსანიშნავად. XX ს-ში გვხვდება როგორც პოეტური სტილიზაცია (ვ. ბრიუსოვი, მ. კუზმინი).

კანცონეტა [იტალ. canzonetta (კნინ.) < canzone — სიმღერა], მცირე ზომის მრავალხმიანი (XVI—XVII სს.) ან სოლო სტროფული (XVIII ს.) სიმღერა. გაჩნდა იტალიაში XIX ს. კომპოზიტორები კ-ს არქმევდნენ საკრავიერ პიესებსაც.

კანხვამანი, ყურე ყვითელ ზღვაში, სამხრ. კორეის დას. სანაპიროსთან. ხმელეთში შეჭრილია 85 *კმ*-ზე, სიგანე 122 *კმ*, სიღრმე 54 *მ*-მდე. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია. ბევრია კუნძული. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 10 *მ*-მდე. კ-ის ნაპირზეა ნავსადგური ინჩხონი (ჩემულპო).

კანჯარი (Equus hemionus), კენტჩლიქოსანი ცხოველი *ცხენისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 2 *მ* აღწევს, წონა 120—127 *კგ*. აქვს მოყვითალო ზურგი, თეთრი მუცელი, ხერხემლის გასწვრივ შავი ზოლი გასდევს. გავრცელებულია წინა, შუა და ცენტრ. აზიის უდაბნოებსა და ნახევრადუდაბნოებში. სსრკ-ში ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. თურქმენეთში (ბალხიზის ნაკრძალი). აღმ. საქართველოში ბინადრობდა შუა საუკუნეებში. სწრაფად დარბის (70 *კმ*-მდე საათში) და ძალზე ამტანია. მაკეობა 11 თვე გრძელდება. შობს 1 კვიცს. ეჯვარება ვირსა და შინაურ ცხენს. კ-ს ამჟამად ყველგან იცავენ.

კანჯო, მცირე უგემბანო გემი. განასხვავებენ სანიჩბავ და თვითმავალ კ-ებს. თვითმავალ კ-ებს ორთქლის ან მოტორიან *კატარღებსაც* უწოდებენ. სანიჩბავი კ-ების უმეტესობას აქვს *საიალქნო აღჭურვილობა*. მათი ანძები (1—2) ყოველთვის მოსახსნელია. კ-ს ძირითადად აგებენ ხისაგან (მუხა, იფანი, ფიჭვი და სხვ.), დიდ კ-ს ზოგჯერ გემთსაშენი ფოლადისაგან აკეთებენ. დანიშნულების მიხედვით კ. არის ხომალდისა, მაშველი სამოქალაქო საზღვაო გემებისა და ტბისა და სამდ. გემებისათვის, სანაპირო მაშველი სადგურებისა, სპორტულ-სანიჩბავი. გემის კ-ების დანიშნულებაა ხალხის გადაყვანა, ტვირთის გადაზიდვა, სხვადასხვა ჰიდროგრ. და საყვინთი სამუშაოს შესრულება და სხვ. გემის კ-ს ყველაზე გავრცელებული სახეობაა ე. წ. სანიჩბავი ნუშა (6 მენიჩბით). კონსტრუქციისა და ზომის მიხედვით გემის კ. შემდეგ ტიპებად იყოფა: 16 — 20-, 22-ნიჩბიანი *ბარკასი*; 14-ნიჩბიანი ნახევრად ბარკასი; 10-, 12- და 14-ნიჩბიანი კატარღა; 6-ნიჩბიანი *ველბოტი*; 6-, 4- და 2-ნიჩბიანი ნუშა; 2-ნიჩბიანი ტუზი და ყველაზე პატარა ნაჭუჭისებრი კ. (სიგრძე 2,9 *მ*). მაშველი კ. სამოქალაქო საზღვაო გემებზე მთავარი მაშველი საშუალებაა. სამოქალაქო საზღვაო გემებზე იყენებენ აგრეთვე მუშა კ-ებს. სანაპირო მაშველი სადგურების კ-ს დანიშნულებაა დახმარება ხიფათში მყოფი გემებისათვის, მოსახლეობისათვის (წყალდიდობის დროს) და სხვ.

კაოლაკი (Kaolack), ქალაქი დას. სენეგალში, მდ. სალუმის ნაპირზე. 96,3 ათ. მცხ. (1970). ნავსადგური (გააქვთ არაქისი), რკინიგზის სადგური (დაკარ—ბამაკოს ხაზის ტოტზე), საავტ. გზების კვანძი. არაქისის ზეთის წარმოება.

კაოლინიტი, სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $Al_4[Si_4O_{10}](OH)_8$. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. კრისტალები იშვიათია, აგრეგატები მიწისებრი აქვს. თეთრი, მონაცრისფრო-თეთრი ან მოყვითალოა. აქვს საკმაოდ სრული ტკეჩადობა ერთი მიმართულებით. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 1; სიმკვრივე 2540—2600 *კგ/მ*^{3}. წარმოიქმნება მჟავე მაგმური ქანების გამოფიტვის, დანალექი ან ჰიდროთერმული გზით. კ. კაოლინის თიხების ძირითადი შემადგენელი ნაწილია. იყენებენ კერამ. და ქაღალდის წარმოებაში, ქიმ. მრეწველობასა და პარფიუმერიაში. კ-ის უდიდესი საბადოები არის სსრკ-ში (ურალი, უკრაინა), გდრ-ში, ჩინეთში, ინგლისში.

კაოსი, *ლეონტი მროველის* მიხედვით, ქართლის მე-12 მეფე. მეფობდა ფარსმანთან ერთად I ს. 30—60-იან წლებში (იხ. აგრეთვე *ორმეფობა ქართლში, ფარსმან I*).

ლიტ.: Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

კაპაბლანკა, კაპაბლანკა იგრაუპერა (Capablanca y Grauperra) ხოსე რაულ (19. XI. 1888, ჰავანა, — 8. III. 1942, ნიუ-იორკი), კუბელი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-3 ჩემპიონი (1921—27). 1921 კ-მ ჰავანაში მოუგო მატჩი მსოფლიოს პირ-

ველობაზე ე. ლასკერს. კ-ს უმთავრესი მიღწევებია: პირველი ადგილები სანსებასტიანის (1911), ლონდონის (1922), ნიუ-იორკის (1927), ჰავანაგზის (1929—30), მოსკ. (1936), ნოტინგემის (1936; მ. ბოტვინიკთან ერთად) და სხვ. საერთაშორისო ტურნირებში. 1962-იდან კუბაში იმართება კ-ს მემორიალები.

თხზ.: ჭადრაკის თამაში, თბ., 1956; Моя шахматная карьера, М., 1926.

ლიტ.: Панов В. Н., Капабланка (Биография и 64 избранные партии), М., 1960. *ლ. ქარციოვაძე.*

კაპადოკია (Kappadokia), მცირე აზიის ცენტრალური ნაწილის ერთ-ერთი ოლქი, რ-ის საზღვრები იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. აქემენიდების დროს კ. (ძვ. სპარს. Katpatuka) მოიცავდა ტერიტორიას დას-ით მდ. ჰალისამდე, ჩრდ-ით შავი ზღვის სანაპირომდე, სამხრ-ით ტავროსის მთებამდე და იყოფოდა 2 სატრაპიად „დიდ კ-დ", რ-საც ეკავა შიგა რაიონები, და „მცირე კ-დ", რ-იც შავი ზღვის სანაპირო ზოლს ანუ პონტოს მოიცავდა. მოგვიანებით ეწოდებოდა მხოლოდ „დიდ კ-ში" შემავალ ტერიტორიას. ანტ. წერილობითი წყაროების მიხედვით, კ-ს აღმ-ით ესაზღვრებოდა არმენია, სამხრ-ით — კილიკია, დას-ით — ფრიგია, ჩრდ-ით კი მე-19 სატრაპიაში შემავალი ტომები (მოსხები, ტიბარენები და სხვ.) ემეზობლებოდნენ. უძველეს ხანაში (დაახლ. ძვ. წ. II ათასწლ.) კ. დასახლებული იყო ტომებით, რ-ებსაც თანამედროვე სამეცნ. ლიტ-რაში ხათებს ანუ პროტოხეთებს უწოდებენ. ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისშივე კ-ში გამოჩნდნენ ინდოევრ. ტომები. ამას ადასტურებს „*კაპადოკიური ფირფიტების*" მონაცემები. ძვ. წ. XVII ს-იდან, როდესაც ხათებისა და ინდოევრ. ნესიტების შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი, კ. იყო ხეთების სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია, აქ მდებარეობდა ხეთების დედაქალაქი *ხათუსა*. ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისში კ-ის სამხრ. ნაწილი *თაბალის* ტომთა გაერთიანებაში შედიოდა. ძვ. წ. VI ს. დასაწყისში იგი დაიპყრო მიდიამ, ამავე საუკუნის II ნახევრიდან გახდა აქემენიდების სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი. ძვ. წ. IV ს-იდან სელევკიდებს ემორჩილებოდა, ძვ. წ. I ს-იდან კი — რომს. ახ. წ. I ს-იდან რომის პროვინცია იყო. ამ დროს კ-ის დედაქალაქს მაზაკს უწოდეს კესარია (ახლანდ. კაისერი). პონტოსთან ერთად შეეიდა ბიზანტ. იმპერიაში. 1074 დაიპყრეს სელჩუკებმა, XV ს-იდან ოსმ. იმპერიის შემადგენლობაში მოექცა.

ლიტ.: გიორგაძე გ., სავაჭრო-კულტურული ურთიერთობანი კაპადოკიასა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში, «კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული», 1962, [ტ.] 2; ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978. *გ. გიორგაძე.*

კაპადოკიური მონეტა, ძვ. წ. IV — ახ. წ. III სს-ში კაპადოკიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, გამოიყოფა 2 ჯგუფი: საკუთრივ კაპადოკიის მეფეთა მიერ და რომის იმპერატორთა სახელით მოჭრილი. I ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო არიარათე I-ის (ძვ. წ. 333—322) დროს და გრძელდებოდა ძვ. წ. 36—17-მდე. მონეტები არცთუ ისე მრავალფეროვანია. ძვ. წ. III ს. 20-იანი წლებიდან ხდება სამონეტო ტიპების საბოლოო უნიფიკაცია. შუბლზე ყოველთვის გამოსახულია კაპადოკიის მეფის პროფილი, ხოლო ზურგზე მთელი ტანით — მარცხნივ მიმართული ათენა, რ-საც გაწვდილ მარჯვ. ხელში გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკება უჭირავს, მარცხენაში კი — შუბი და გორგონას გამოსახულებიანი ფარი. ბერძნ. ლეგენდაში აღნიშნულია კაპადოკიის ამა თუ იმ მეფის სახელი და მონეტის მოჭრის დრო. კაპადოკიური დრაქმები აღმოჩენილია საქართველოშიც (ვანი). II ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო ახ. წ. 30-იდან, იმპერატორ ტიბერიუსის (14—37) დროს. პირველად იჭრებოდა დრაქმა. კალიგულას (37—41) ხანიდან მიმოქცევაშია დიდრაქმები. სპილენძი მოჭრეს კლავდიუსის (41—54) მმართველობისას. II ჯგუფის მონეტების მოჭრა გრძელდებოდა III ს. შუა წლებამდე. სამონეტო ტიპი მრავალფეროვანია. განსაკუთრებით ბევრია მონეტები, რ-თა ზურგზე არგეის მთა ან ჰერაკლეს კომბალია გამოსახული, შუბლზე კი — ყოველთვის რომის იმპერატორის პორტრეტი. ზედწერილები ბერძნულია.

კაპადოკიის მთავარი ქალაქის კესარიის ზარაფხანა II ს-ში ფართო მასშტაბის სამონეტო ემისიას ახორციელებდა და მთელი მცირე აზიის (მ. შ. კოლხეთის) ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. დას. საქართვ. ტერიტორიაზე (სოხუმი, ბიჭვინთა, ბანძა, სეფიეთი, ურეკი, სუფსა, ეკი და სხვ.) აღმოჩენილია 1200-მდე კ. მ.; ადრიანეს (117—138) დიდრაქმები აღმოჩენილია III ს. 30-იან და 50-იან წლებში ჩამარხულ განძებში (ეკი, ბიჭვინთა) და მიკვლეულია III ს. შუა წლების კულტ. ფენაში (ბიჭვინთა). *გ. დუნდუა.*

„კაპადოკიური ფირფიტები", ლურსმულით დაწერილი ტექსტები, რ-ებიც XIX ს. 80-იან წლებში კაპადოკიაში აღმოაჩინეს, რის გამოც მათ „კაპადოკიური" უწოდეს. აღმოაჩინეს ქიულთეფეში (ახლანდ. კაისერის ახლოს, თურქეთში), სადაც ძვ. მცირეაზიული ქალაქი ქანიში (ხეთური წყაროებით ქანესი) მდებარეობდა. 1891 რუსმა აღმოსავლეთმცოდნემ ვ. გოლენიშჩევმა გამოაქვეყნა კაისერიში შეძენილი რამდენიმე ათეული „კ. ფ." და იმთავითვე ზუსტად განსაზღვრა ამ წარწერების ენა როგორც აქადური ენის ძვ. ასურული დიალექტი. ჩეხი ორიენტალისტის ბ. ჰროზნის გათხრებმა ქიულთეფეში (1925) ათასობით ახ. ასეთი თიხის ფირფიტა შესძინა მეცნიერებას. შემდეგ ასეთივე ტექსტები იპოვეს ალიშარ-ჰოიუქსა და ბოღაზქოიშიც. „კ. ფ"-ის რიცხვი ამჟამად 2 ათეულ ათასს აღწევს. ბევრი მათგანი გამოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-შიც (ვ. შილეიკოს, ნ. იანკოვსკაიას მიერ). ტექსტები ეხება ძვ. წ. XIX—XVIII სს-ში მომხდარ ამბებს. ესაა ვაჭრობასთან დაკავშირებული ოფიც. თუ კერძო მიმოწერა, სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები და სხვ. „კ. ფ-ში" აღწერილია ადგილობრივი მოსახლ. ცხოვრების სხვადასხვა მხარეც. ტექსტებში დოკუმენტურად დასტურდება ინდოევროპელ ტომთა არსებობა მცირე აზიაში ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისისათვის.

ლიტ.: Клинописные тексты из Кюльтепе в собраниях СССР. Автографические копии, транскрипция, пер., вводная статья, коммент. и глоссарии Н. Б. Янковской, М., 1968; Garelli P., Les Assyriens en Cappadoce, P., 1963.

გ. გიორგაძე.

კაპადოსია (Capadocia) გილერმო (დაახლ. 1909 — 29. IX. 1951), მუშათა მოძრაობის მოღვაწე ფილიპინებზე. პროფესიით მზარეული. 1920-იანი წლების დასასრ. გახდა პროლეტართა კავშირის (რევ. პროფ. გაერთიანების) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1930 მონაწილეობდა კომპარტიის შექმნაში. 1931—37 გადასახლებული იყო. 1937—41 კომპარტიის ცკ-ის გენ. მდივანი, 1938—41 ქვეყნის უმსხვილესი პროფ. ცენტრის „კოლექტიური მუშათა მოძრაობის" აღმასრ. მდივანი. 1945—50 მუშათა ორგანიზაციების ფილიპინების კონგრესის ვიცეპრეზიდენტი. 1950 დევნის გამო მანილიდან გადაიხვეწა. ქვეყნის განთავისუფლების არმიის რაზმების სარდალი ვისაის არქიპელაგზე. მოკლეს ბრძოლაში კ. პანაიზე.

კაპათა, ქართული კულტურის კერა იერუსალიმში, სიონის მთაზე. XI ს-ში ბაგრატ IV-ის მეუღლემ *ბორენამ* და მისმა ასულმა მართამ იუსტინიანე დიდის მიერ აგებული, იმხანად დანგრეული ტაძრის ადგილას ააშენეს კ-ს მონასტერი, რ-იც ქართ. კულტ.-საგანმან. კერად იქცა. ცნობილია იქაური წიგნთსაცავის რამდენიმე საყურადღებო ხელნაწერი. კ. დაარბიეს ხვარაზმელებმა 1244. *ლ. მენაბდე.*

კაპ-აიტიენი (Cap-Haïtien), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ. ჰაიტიში, 30 ათ. მკხ. (1971). სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. გააქვთ ყავა, შაქარი, ხილი.

კაპანაძე დავით გიორგის ძე (15. IV. 1898, თბილისი, — 7. III. 1971, თბილისი), ქართველი საბჭ. ნუმიზმატი, ისტ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი, საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყ-ბის გამგე (1959—71). კ-მ გამოაცალინა მრავალი უცნობი ქართ. მონეტა, დაადგინა ზოგიერთი მონეტის ქართ. წარმოშობლობა, მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა ქართ. მონეტების დათარიღებაში და სხვ. ქართ. საბჭ. ცენტრ. და საზღვარგარეთის ჟურნალებში გამოაქვეყნა 60-მდე სამეცნ. ნაშრომი, რ-თაგან მნიშვნელოვანია „ქართული ნუმიზმატიკა" (მრავალჯერ გამოიცა ქართ. და რუს. ენებზე). კ-მ დიდი სამუზეუმო მუშაობა გასწია (მონეტების შეგროვება, განსაზღვრა, კოლექციის სისტემატიზაცია და დაცვა). 1937-იდან მონაწილეობდა საქართვ. არქეოლ. ექსპედიციებში (მცხეთა, გუდარეხი, კლდეეთი, ბიჭვინთა და სხვ.).

თხზ.: Новый тип монеты Давида Строителя, «Византийский временник», 1956, т. 8; О продолжительности обращения динариев Августа и драхм Готарза в древней Иберии, «Советская археология», 1962, № 4. *ვ. ლექვინაძე.*

კაპანაძე ზურაბ რაჟდენის ძე (დ. 15. XI. 1924, თბილისი), ქართველი საბჭ.

ზ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. „შუშანიკის წამება". 1978. ავტორის კუთვნილება.

პ. კაპანაძე.

კაპარი (Capparis spinosa): 1-ყვავილებიანი ტოტი; 2-ნაყოფი.



კაპარჭინა.

კაპეტინგები

კაპეტინგების დინასტიის წარმომადგენლები

ჰუგო კაპეტი	987/996
რობერ II	996/1031
ანრი I	1031/1060
ფილიპ I	1060/1108
ლუი VI	1108/1137
ლუი VII	1137/1180
ფილიპ II ოგიუსტი	1180/1223
ლუი VIII	1223/1226
ლუი IX (წმ. ლუი)	1226/1270
ფილიპ III მამაცი	1270/1285
ფილიპ IV ლამაზი	1285/1314
ლუი X	1314/1316
ფილიპ V	1316/1322
შარლ IV ლამაზი	1322/1328

მხატვარი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1967). 1953 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. ძირითადად მუშაობს წიგნის გაფორმების დარგში. კ-ის მიერ შექმნილი გრაფ. სახეები გამოირჩევა მონუმენტურობით. მთავარი ნამუშევრებია ილუსტრაციები წიგნებისათვის: „ქართული ხელნაწერები" (1970, ი. ფეოდოროვის სახ. დიპლომი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშ. კონკურსზე), მინიატიურული ვეფხისტყაოსანი (1967, ოქროს მედალი სსრკ სახ. მეურნ. მიღწევების გამოფენაზე), მუს. სახელმძღვანელოები I და II კლასებისათვის (1964, ბრინჯაოს მედალი, იქვე), ი. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი" (1963, II ხარისხის დიპლომი, რუსული წიგნის 400 წლისადმი მიძღვნილ კონკურსზე), ვეფხისტყაოსანი (1966, II ხარისხის დიპლომი, 1960—67 წწ. საუკეთესო გამოცემების საკავშ. კონკურსზე).

კაპანაძე პეტრე სოლომონის ძე [1 (13). VI. 1877, სოფ. წალვლი, ახლანდ. ხაშურის რ-ნი, — 10. VI. 1949, ხაშური], ქართველი საბჭოთა პედაგოგი, რევ. მოძრაობის მონაწილე. საქ. სსრ სკოლის დამს. მასწავლებელი (1934). დაამთავრა თბილ. სას. სემინარია (1901), სადაც აქტ. მონაწილეობას იღებდა არალეგალური მარქსისტული წრის მუშაობაში. ეწეოდა არალეგალურ რევ.-სააგიტაციო მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობასა და ჯარისკაცთა შორის. 1901-იდან მუშაობდა ხაშურში, სხვადასხვა დროს იყო მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, მასწავლებლის სახლის დირექტორი. აქვს მოგონებათა წიგნი „ბავშვობა და ყრმობა" (1945), რ-იც ი. სტალინის რევ. მოღვაწეობის დასაწყისს ეხება. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

კაპანაძე სეით ამბაკოს ძე (20. X. 1900, სოფ. მეორე სვირი, ზესტაფონის რ-ნი,— 15. II. 1956, მოსკოვი), საბჭ. კონტრ-ადმირალი (1951-იდან). სკკპ წევრი 1926-იდან. 1921—23 სწავლობდა ბათუმის სამხ.-საზღვ. სასწავლებელში, შემდეგ 1923—26 ლენინგრ. მ. ფრუნზეს სახ. სამხ.-საზღვ. სასწავლებელში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე (1941) კ. დაინიშნა 77-ე საზღვ.-ქვეითი ბრიგადის მეთაურად, 1944 — 1-ლი გამანადგურებელი საზღვ. ბრიგადის მეთაურად. კ. მონაწილეობდა მილიტ. იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1945—46 მსახურობდა წყნარი ოკეანის ფლოტში, 1948 დაამთავრა ლენინგრ. სამხ.-საზღვ. აკადემია, 1951—53 კ. სწავლობდა გენ. შტაბის აკადემიაში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 წითელი დროშის, ნახიმოვის II ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კაპანელი (ნამდვ. გვარი ჭ ა ნ ტ ი რ ი ა) კონსტანტინე გრიგოლის ძე (5. V. 1889, კაპანა, აბაშის რ-ნი,—10. XII. 1952, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე-ესთეტიკოსი. დაამთავრა გრენობლის (საფრანგეთი) უნ-ტის სიტყვიერების ფაკ-ტი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ქუთ. და ბათუმის სასწავლებლებში, 1923-იდან — თბილ. კონსერვატორიასა და ამიერკავკ. კომუნისტურ უნ-ტში. 1929-იდან მოსკ. სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა ლექციებს ქართ. ხელოვნების შესახებ. 1931 დანიშნეს თბილ. პედ. ინ-ტის კათედრის გამგედ.

კ-ის ორგანოტროპისტულ მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა იქონია ნიცშეანობამ და ბიოლოგისტურმა სოციოლოგიამ. ნიცშეანობის გავლენა შეინიშნება მის ნარკვევში „ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში" („ზაკავკაზსკაია რეჩ", 1912, №32, 38, 45, 59, 64), რ-შიც განხილულია ნ. ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პოეზია.

ბიოგრ.-იდეოგრაფიული მეთოდის მოწინააღმდეგე კ-მა სცადა ქართ. ლიტ-რის ისტორიის განხილვა ხელოვნებისა და ლიტ-რის სოციოლოგიის პრინციპების გამოყენებით („ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი", 1928, 1931). კ-ის ნაშრომები ეხება აგრეთვე რუსთაველის ფილოსოფიასა და ესთეტიკას („რუსთაველის ფილოსოფია", 1936; „ქართული კულტურა და რუსთაველის იდეები", 1938).

თხზ.: მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები, თბ., 1936; სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი, ტფ., 1925; სული და იდეა, ტფ., 1923; Страдание и творчество, Тфл., 1917. *ე. კოდუა.*

კაპანო, ბ ო ტ ი, მცირე ზომის ძრავიანი, აფრიანი ან სანიჩბავი გემი. განასხვავებენ სატრანსპორტო, სარეწ, საყვინთ, მაშველ, სალოცმანო და სხვ. სახეობის კ-ებს.

კაპარი (Capparis), მცენარეთა გვარი კაპარისებრთა ოჯახისა. ხეები, ბუჩქები, ბუჩქბალახები და მრავალწლოვანი ბალახებია. 300-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. 2 სახეობა გვხვდება სსრკ-ში. ე კ ლ ი ა ნ ი კ. (C. spinosa) ბუჩქბალახია. აქვს ვრძელი გართხმული ღეროები და თეთრი ან მოთეთრო-ვარდისფერი გრძელყუნწა ყვავილები. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში, წინა და ცენტრ. აზიაში, ინდოეთში; სსრკ-ში — სამხრ. ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენში აღმ. საქართველოში გვხვდება. კ. იზრდება ბარისა და მთისწინეთის უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში, თიხიან, ხშირად ბიცობიან ნიადაგზე. კოკორს, მკვახე ნაყოფს და ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ, მწიფე ნაყოფი იჭმება. თესლში 30%-მდე ზეთია; შეიცავს ალკალოიდ კაპარიდინს. იყენებენ ‘ხალხურ მედიცინაში (სასაქმებელ საშუალებად). მნიშვნელოვანია მშრალი რ-ნების შიშველი ადგილების დასაფარავად. კულტივირებულია დას. და სამხრ. ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში და სხვაგან. თაფლოვანი მცენარეა. *მ. სახოკია.*

კაპარჭინა (Abramis brama), თევზი კობრისებრთა ოჯახისა. აქვს მაღალი სხეული და გრძელი ანალური ფარფლი. მისი სიგრძე 30 *სმ* აღწევს, წონა 1 *კგ*-მდე. ბინადრობს ჩრდ., ბალტიის, შავ, აზოვის ზღვებში და აგრეთვე თეთრი ზღვის მდებში (კარელია), პეჩორაში. საქართველოში გვხვდება შავი ზღვისა და მტკვრის აუზის მდ-ებსა და ტბებში (პალიასტომი, ჯანდარი). ძვირფასი სარეწაო თევზია. საქართველოში სიმცირის გამო სხვა თევზებთან ერთად იჭერენ. იყენებენ ნედლს, დამარილებულს და შებოლილს. ხელოვნური გამრავლების ობიექტია.

მ. დემეტრაშვილი.

კაპარჭინა, მდინარე ქ. ფოთთან. გამოდის პალიასტომის ტბის ჩრდ.-დას. ნაპირიდან, უხვევს სამხრ.-კენ, მიედინება ტბის დას. ნაპირის გასწვრივ და ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 7 *კმ*, აუზის ფართ. 535 *კმ*². *ი. აფხაზავა.*

კაპელა (გვიანდ. ლათ. capella; იტალ. cappella — საკამნო, ეგვტერი), 1. კათოლიკურ და ანგლიკანურ არქიტექტურაში მცირე ზომის ნაგებობა ან სათავსი, განკუთვნილი რომელიმე დიდგვაროვანი ოჯახის სალოცავად, რელიქვიების შესანახად, მგალობელთა მოსათავსებლად და ა. შ. კ. ეწყობოდა ტაძრებში (გვერდით ნავებში ან პატრონიკეს ირგვლივ), ციხე-დარბაზებსა და სასახლეებში. აშენებდნენ აგრეთვე ცალკე კ-ებსაც (მაგ., სიქსტის კაპელა). 2. მგალობელთა გუნდი. სახელი ეწოდა იმ ნაგებობის მიხედვით, სადაც გალობდნენ. თავდაპირველად კ. მხოლოდ ვოკალური იყო. საკრავიერი მუსიკის განვითარებასთან ერთად გაჩნდა შერეული ანსამბლებიც. კ-ებს ხელმძღვანელობდნენ კომპოზიტორები: ი. ს. ბახი, ი. ჰაიდნი და სხვ. რუსეთში გავრცელდა XVII ს-იდან უმთავრესად თავადაზნაურთა კარზე. ყველაზე დიდი კ. იყო სამეფო კარის მგალობელთა კ. (ახლანდ. მ. გლინკას სახელობის სახელმწ. აკად. კაპელა), სადაც მოღვაწეობდნენ დ. ბორტნიანსკი, მ. გლინკა, ნ. რიმსკი-კორსაკოვი, მ. ბალაკირევი და სხვ.



სან-ლორენცოს საკრებულო ტაძრის კაპელა სან-ჯოვანი ბატისტა (დაახლ. 1447—96). გენუა.

კაპელა, α მ ე ე ტ ლ ი ს ა, *მეეტლის* თანავარსკვლავედის 0,1 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდის* ვარსკვლავი; ნათობა 141-ჯერ აღემატება მზისას, მანძილი მზიდან 14 *პს*. საექტრული კლასია G 8, საკუთარი მოძრაობა 0,44''. წარმოადგენს 3 ვარსკვლავისაგან შედგენილ სისტემას, რ-იც თვალით ერთ ვარსკვლავად აღიქმება.

კაპელანი (გვიანდ. ლათ. capellanus), კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში: 1. კარის ეკლესიის ან კერძო ეგვტერის მღვდელი, ასევე სამრევლოს მღვდლის თანაშემწე. 2. არმიის მღვდელი; ბურჟ. ქვეყნებში აქვს ოფიცრის ან გენერლის წოდება. რელიგ. ფუნქციის გარდა აკისრია ჯარისკაცებისა და ოფიცრების მორალურ-პოლიტ. მდგომარეობის კონტროლი. სოციალ. ქვეყნებიდან კ. ჰყავთ პოლ. არმიაში, აქ მისი ფუნქციები მკაცრად შეზღუდულია.

კაპელდინერი (გერმ. Kapelldiener, სიტყვასიტყვით—კაპელის მსახური) (მოძველებულია), თეატრის ან საკონცერტო დარბაზის მოსამსახურე. ამოწმებდა მაყურებელთა ბილეთებს, დარბაზში იცავდა წესრიგს.

კაპელმაისტერი (გერმ. Kapellmeister< Kapelle — გუნდი და Meister — ოსტატი, ხელმძღვანელი), თავდაპირველად, XVI—XVII სს-ში, საგუნდო ან საკრავიერი კაპელის ხელმძღვანელი, XIX ს-ში თეატრის საგუნდო ან სიმფ. დირიჟორი. კ-ის თანამდებობა არსებობდა XI ს-იდან საფრ. სამეფო კარზე. კ-ად ინიშნებოდა უმაღლესი სას. პირი.

კაპერი (ჰოლანდ. kaper), 1. კერძო გემი, რ-იც ხელისუფლების ნებართვით მოწინააღმდეგის გემებთან საბრძოლველად სპეციალურადაა შეიარაღებული. არსებობდა XV—XVIII სს. ევრ. და ამერ. სხვადასხვა ქვეყანაში. 2. კერძო პირი, რ-საც სახელმწიფოსგან კაპერობის სპეც. ნებართვა აქვს აღებული.

კაპეტინგები (გვიანდ. ლათ. Capetingi, ფრანგ. Capétiens), სამეფო დინასტია საფრანგეთში (987—1328). საფუძველი ჩაუყარა ჰუგო კაპეტმა. კ-ის მმართველობის დროს სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა. მათ გააფართოვეს სამეფო დომენის ტერიტ. (XIV ს. დამდეგისათვის მასში საფრ. ტერიტ. 3/4 შედიოდა), ხელი შეუწყვეს ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. კ-ის დინასტიის მოსპობის შემდეგ გამეფდა *ვალუას* დინასტია.

კაპიევი ეფენდი მანსურის ძე [28. II (13. III). 1909, სოფ. ყუმუხი, ახლანდ. ლაკის რ-ნი, დ.ღ. ასსრ,—27. I. 1944, პიატიგორსკი], დაღესტნელი საბჭ. მწერალი. ეროვნებით ლაკი. წერდა რუს. ენაზე. რუსულად თარგმნა ს. სტალსკის ლექსები და კავკ. ხალხთა სიმღერები. მისი ეპოსისა და ლირიკის ნიმუშების კრებულები „მთიელთა სიმღერები" (1939) და „ჩუქურთმა" (1940) მოსკოვში გამოქვეყნდა. სახელი გაუთქვა ნოველების ციკლმა „პოეტი" (1940, გამოიცა 1944). ავტორია „საფრონტო ნარკვევებისა" (1942—43; გამოიცა 1944), „ფრონტული დღიურისა" (1941—44) და სხვ.

კაპიკი, რუსული ხურდა მონეტა, უდრის მანეთის 1/100-ს. პირველად მოიჭრა ვერცხლისა XVI ს. 30-იან წლებში. XVI—XVII სს-ში მას უფრო ხშირად ნოვგოროდკას უწოდებდნენ. 1704 პეტრე I-მა მიმოქცევაში შემოიღო სპილენძის კ. 1718-იდან ვერცხლის კ. აღარ იჭრებოდა. სსრკ-ში კ. იჭრება ყვითელი ფერის სპილენძთუთიის შენადნობისაგან.

კაპილარები (ლათ. capillaris — თმისა), უწვრილესი (2,5—30 *მკმ* დიამეტრის) სისხლგამტარი მილები, რ-ებიც ადამიანისა და ცხოველების ქსოვილებში სისხლის შემომტან არტერიოლებსა და ვენულებს შორის ქმნიან წნულებს, სადაც არტერიული სისხლი ვენურად იქცევა; შესაბამისად, წნულის ნაწილს არტერიული კ. შეადგენენ, ნაწილს კი — ვენური კ. (იშვიათად კაპილარული წნული ჩართულია ორ არტერიოლას ან ორ ვენულას შორის, ე. ი. შეიცავს ან არტერიულ, ან ვენურ სისხლს და „საოცარ წნულებად" იწოდება). კ-ის კედლის მეშვეობით ხდება ნივთიერებათა გაცვლა სისხლსა და ქსოვილებს შორის.

კ-ის კედელი შედგება 3 შრისაგან. შიგნითა შრეს ქმნის *ენდოთელიუმი*, რ-იც შედგება ბრტყელი, ერთიმეორისაგან 100—150-მდე Å სიგანის ნაპრალებით განცალკევებული და პინოციტოზური ბუშტუკების (იხ. *პინოციტოზი*) უხვად შემცველი უჯრედებისაგან; ენდოთელიუმს გარედან ეკვრის შემაერთებელი ქსოვილის ბრტყელი უჯრედები — პერიციტები, კოლაგენური ფიბრილები და შემწებებელი ნივთიერება; ეს ელემენტები შეადგენენ ე. წ. ბალურ შრეს, რ-ის სისქეა 200—1500Å; ირგვლივ მყოფი უჯრედები (ფიბრობლასტები, ჰისტიოციტები და სხვ.) და უჯრედშორისი ნივთიერების ფენა (ბოჭკოები და ძირითადი ნივთიერება) ქმნიან კ-ის კედლის ადვენტიციურ შრეს. არტერიული და ვენური კ. განსხვავდებიან დიამეტრით, კედლის სისქით, ენდოთელიუმის ზედაპირით და სხვ.

კ-ის დიამეტრის შეცვლის მექანიზმი საბოლოოდ დადგენილი არ არის. ამ პროცესში მთავარი როლი ენიჭება პერიციტებს, რ-ებიც ეფექტორული ნერვის უწვრილესი ტოტით ინერვირდებიან. შესაძლებელია კ. პერიციტის აქტ. შეკუმშვით ვიწროვდებოდეს (კუნთოვანი ელემენტების მსგავსად), ანდა მხოლოდ გადასცემდეს იმპულსებს ნერვიდან ენდოთელიუმს, რაც განაპირობებს ენდოთელიოციტებში სითხის რაოდენობის შეცვლას და, შესაბამისად, კ-ის დიამეტრის შეცვლასაც.

კ-ის კედლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიოლ. თვისებაა რეაქტიულობა, ე. ი. კედლის ყველა კომპონენტის მოქმედების დროული და ადეკვატური ცვლილება გარემოს ზემოქმედების საპასუხოდ. რეაქტიულობის მოშლა სხვადასხვა დაავადების მიზეზი ხდება.

ლიმფურ კ-ში ცირკულირებს ლიმფა, რ-შიც ქსოვილებიდან გროვდება მათში შეუღწევადი ნივთიერებები, უცხო სხეულები, ბაქტერიები და სხვ. ლიმფური კ. არ არის მხოლოდ თავის ტვინში, ელენთაში, ლიმფურ კვანძში, თვალის ბროლში, სკლერაში, ხრტილში და ზოგ სხვა ორგანოში. ლიმფური კ-ის კედელს შეადგენს მხოლოდ ენდოთელიუმი, რ-ის უჯრედებს შორის უფრო განიერი ნაპრალებია. ლიმფური კ. ლიმფის სადინარებად იკრიბება.

ლ. ნათაძე.

კაპილარული მოვლენები, ფართო გაგებით — შემხებ სხეულთა ზედაპირების საზღვარზე (ზედაპირულ შრეებში) მოლეკულური ძალებით გამოწვეული *ზედაპირული მოვლენები*; ვიწრო გაგებით — სითხის თავისუფალი ზედაპირის წონასწორობასა და მოძრაობაზე, აგრეთვე სითხისა და მყარი სხეულის ან სხვა შეურევი სითხეების გამყოფ ზედაპირებზე ზედაპირული დაჭიმულობის გავლენით გამოწვეული მოვლენები.



ქსოვილებში სისხლის კაპილარების ბადისა (I) და ერთ-ერთი კაპილარის განივი ჭრილის (II) სქემა: ს-კაპილარის სანათური; ერ-ერითროციტი; ებ-ენდოთელიუმის უჯრედის ბირთვი; ეც-ენდოთელიუმის უჯრედის ციტოპლაზმა; მ-მიტოქონდრია; პე-პინოციტოზური ვეზიკულები; ბშ-სისხლის კაპილარის ბაზალური შრე; პბ-პერიციტის ბირთვი; პც-პერიციტის ციტოპლაზმა; ნდ-მამოძრავებელი ნერვის დაბოლოება; აშ-ადვენტიციური შრე; კფ-კოლაგენური ფიბრილები; ფბ-ფიბრობლასტი.



ქსოვილებში ლიმფური კაპილარების ბადისა (I) და ლიმფური კაპილარის განივი ჭრილის (II) სქემა: ს-კაპილარის სანათური; ებ-ენდოთელიუმის უჯრედის ბირთვი; ეც-ენდოთელიუმის უჯრედის ციტოპლაზმა: მ-მიტოქონდრია; კფ-კოლაგენური ფიბრილები; ლ-ლიმფოციტები.

როდესაც სითხის მოლეკულებს შორის შეჭიდულობა ნაკლებია მყარი სხეულის მოლეკულებთან მათ შეჭიდულობაზე, მაშინ სითხისა და მყარი სხეულის საზღვარზე ზედაპირული ენერგია ნაკლებია, ვიდრე მყარი სხეულის მშრალ ზედაპირზე, ამიტომ სითხისა და მყარი სხეულის შეხების ზედაპირის გაზრდა ენერგეტიკულად ხელსაყრელია (ამცირებს ენერგიას) და სითხე დამასველებელია. საწინააღმდეგო შემთხვევაში სითხე არადამასველებელია. ზედაპირების გადაკვეთის წერტილში სრულდება წონასწორობის პირობა. $\sigma_{13}-\sigma_{12}=\sigma_{23}\cos\Theta$, სადაც σ_{13} არის მყარი სხეულისა და სითხის ორთქლის საზღვრის ზედაპირული დაჭიმულობა, σ_{12} — მყარი სხეულისა და სითხის საზღვრის ზედაპირული დაჭიმულობა, ხოლო σ_{23} — სითხისა და მისი ორთქლის საზღვრის ზედაპირული დაჭიმულობა, Θ — კუთხე მყარი სხეულისა და სითხის ზედაპირებს შორის. თუ $\sigma_{12}<\sigma_{13}$, მაშინ $\cos\Theta>0$, ე. ი. დამასველებელი სითხის ზედაპირი ჩაზნექილია, ხოლო, თუ $\sigma_{12}>\sigma_{13}$, მაშინ $\cos\Theta<0$ — არადამასველებელი სითხის ზედაპირი ამოზნექილია. (იხ. ნახ.).

ვერტიკალურად დაყენებულ კაპილარში დამასველებელი სითხე ადის მაღლა (ასველებს კედლებს), სანამ ზედაპირული ძალების მოქმედება არ გათანაბრდება სითხის წონით, არადამასველებელი სითხე კი დაბლა იწევს. დონეთა სხვაობა კაპილარსა და მასთან დაკავშირებულ განიერ ჭურჭელს შორის გამოწვეულია *კაპილარული წნევით* და განისაზღვრება ჟიურენის ფორმულით $h = 2\sigma_{23}\cos\Theta/\rho g r$, სადაც ρ არის სითხის სიმკვრივე, g — სიმძიმის ძალის აჩქარება, r — კაპილარის რადიუსი.



კაპილარული მოვლენები.
ა—სრული დასველება ($\theta=0$). სითხის შიგნით არსებული ლაპლასის Δp უარყოფითი წნევა [$\Delta p=-2\sigma/R$, სადაც σ არის ჰაერის ან სითხის გაჯერებული ორთქლისა და სითხის საზღვრის ზედაპირული დაჭიმულობა, ხოლო R —სითხის ზედაპირის (მენისკის) რადიუსი, რომელიც სრული დასველებისას უდრის კაპილარის შიდა r რადიუსს] განაპირობებს სითხის ასვლას ზემოთ h სიმაღლეზე. ვინაიდან წონასწორობისას სითხეში ერთ დონეზე მდებარე წერტილებში წნევა ყოველთვის ერთნაირია (იგულისხმება, რომ სითხის ზედაპირზე p_0 წნევა ატმოსფერულია), ამიტომ სიმაღლე განისაზღვრება ფორმულით: $p_0=p_0-2\sigma/R+\rho gh$; $h=2\sigma/\rho gR$ (1); ბ—სრული არადასველება ($\theta=180^0$). არადამასველებელი სითხე დაეშვება h სიღრმეზე, ვინაიდან Δp დადებითია და სითხის შიგნით წნევა p_0-ზე $2\sigma/r$ მეტია; გ—არასრული დასველება. მენისკის რადიუსი $R=r/\cos\theta$; R-ის (1) ფორმულაში შეტანით მიიღება ჟიურენის ფორმულა $h=2\sigma\cos\theta/\rho gr$.

ლიტ.: Адам Н. К., Физика и химия поверхностей, пер. с англ., М., 1947.

კაპილარული წნევა, წნევათა სხვაობა ფაზათა (სითხისა და ორთქლის ან ორი სითხის) გამყოფი გამრუდებული ზედაპირის ორ მხარეს შორის, რაც გამოწვეულია მისი ზედაპირული (ფაზათშორისი) დაჭიმულობით. იხ. *ლაპლასის კანონი.*

კაპის მთები, მთები აფრიკის სამხრ. ნაწილში, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში, პორტ-ელიზაბეთსა (აღმ.) და მდ. ოლიფანტსის შესართავს (დას.) შორის. სიგრძე დაახლ. 800 *კმ.* შედგება რამდენიმე პარალელური ქედისაგან. საშ. სიმაღლე 1500 *მ*, მაქს. — 2326 *მ.* აგებულია ქვიშაქვებითა და კვარციტებით. მთებს შორის მოქცეულია გასწვრივი დადაბლება — მცირე კარუ. ჰავა დას-ით ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა. ნალექები ქარპირა კალთებზე წელიწადში 600 *მმ*-ზე მეტი მოდის, აღმ-ით — 800 *მმ*-ზე მეტი. ზამთარში მწვერვალები თოვლით იფარება. ქარზურგა კალთებზე და შიგა ხეობებში ნახევარუდაბნოა. მთის კალთებზე მარადმწვანე მეორეული ბუჩქნარი და წიწვოვან-ფოთლოვანი ტყეა.

კაპის ოლქი, სამხრეთ აფრიკის ფლორისტიკული ოლქი, რ-ის ჩრდ. საზღვარია ძირითადად მდ. ორანჟი. ზოგჯერ კ. ო-ს აკუთვნებენ მხოლოდ სამხრ.-დას. აფრიკას, სადაც თავმოყრილია საკუთრივ კაპის ფლორა, რ-ის 7000-მდე სახეობიდან მეტი წილი ენდემურია. კ. ო-ში ცნობილია უმაღლესი მცენარეების 1200 გვარის 14000-მდე სახეობა, მათგან 3000-მდე სახეობა ენდემურია. აქ გავრცელებული მრავალი ოჯახიდან ენდემურია 7 (Achariaceae, Bruniaceae, Geissolomaceae, Grubbiaceae, Penaeaceae, Roridulaceae, Melianthaceae); მეტად დამახასიათებელია რთულყვავილოვანთა, მანანასებრთა, კრასულასებრთა, მარცვლოვანთა და სხვ. ოჯახები. კ. ო-ის კლიმატი ხმელთაშუაზღვისპირეთის მსგავსია: ზამთარში ზომიერი ტემპ-რა და ნალექების სიჭარბეა, ზაფხული კი შედა-

რებით მშრალია. ამიტომ მცენარეულ საფარში მნიშვნელოვანია ხმელთაშუაზღვისპირეთის *მაკვისის* მსგავსი ქსეროფილური ბუჩქნარი, ე. წ. ფინბოში. აღმ. სანაპირო პროვინციაში შემორჩენილია სუბტროპ. მარადმწვანე ტენიანი ტყე-ჰილეა; ცენტრ. ნაწილში (პატარა და დიდი კარუ) დაბალბუჩქებიანი და სუკულენტებიანი უდაბნოებია. მაღალ მთებში ბალახნარს ქმნის მარცვლოვანთა მონათესავე რესტიოსებრთა (Restionaceae) ოჯახის სახეობები. ჰ. ო-ის ფლორა და მცენარეულობა გენეზისურად დაკავშირებულია ტროპ. აფრიკის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, მადაგასკარის, ავსტრალ., უფრო ნაკლებად სამხრ. ამერ. ფლორასთან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისტ.-გეოლ. წარსულში დედამიწის ამ ნაწილებს შორის მატერიკული კავშირი არსებობდა. ჰოლარქტიკის ფლორასთან ჰ. ო-ს აკავშირებს ისლის, ბაიას, მარშუჭისა და სხვ. მცენარეთა გვარები. კაპის ფლორის 1000-მდე სახეობა გამოყენებულია მსოფლიო დეკორ. მებაღეობაში. ევროპიდან ჰ. ო-ში ბევრი კულტ. მცენარე და ტყის ჯიშია შეტანილი. *მ. სახოკია.*

კაპის პროვინცია (ინგლ. Cape Province, ჰოლანდ. Kaapland), პროვინცია სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში. ფართ. 721 ათ. *კმ*². მოსახლ. 6,7 მლნ. კაცი (1970), უმთავრესად ბანტუ და მულატები. ადმ. ც.— ქ. კეიპტაუნი.

სამხრ. ნაწილი უჭირავს სანაპირო დაბლობსა და კაპის მთებს (სიმაღლე 2000 *მ*-მდე), ჩრდ. ნაწილი — ზემო კარუს მაღალ პლატოს, მათ შორის დიდი ბექი (სიმაღლე 2500 *მ*-მდე) და დიდი კარუს ღრმულია. ჰავა და მცენარეულობა სამხრ. ნაწილში ხმელთაშუა ზღვის ტიპისაა, ჩრდ. ნაწილში — ნახევარუდაბნოსი. მთავარი მდ-ებია ორანჟი, სანდისი, გრეიტ-ფიში.

განვითარებულია ექსტენსიური მეცხოველეობა, უმთავრესად სამატყლე მიმართულების მეცხვარეობა. სას.-სამ. კულტურებიდან ჭარბობს ხორბალი. განვითარებულია მევენახეობა და მებაღეობა. ჰ. პ-ზე მოდის სამხრ. აფრ. რესპ. მანგანუმის მადნის მოპოვების 90%-ზე და ალმასის მოპოვების 40%-ზე მეტი. მუშავდება აგრეთვე სპილენძისა და რკინის მადნის, ბარიტის, აზბესტის საბადოები. არის მანქანათაშ., ქიმ. და ცემენტის მრეწვ. დიდი საწარმოები. განვითარებულია აგრეთვე მსუბუქი, მინის, ხის დასამუშ. და კვების მრეწველობა. მნიშვნელოვანი ნავსადგურებია კეიპტაუნი, ისტ-ლონდონი, პორტ-ელიზაბეთი. საიმონსტაუნში არის სამხრ. აფრ. რესპ. მთავარი სამხ.-საზღვ. ბაზა.

კაპიტალი (გერმ. Kapital, ფრანგ. capital, თავდაპირველად—მთავარი ქონება, ძირითადი თანხა < ლათ. capitalis—მთავარი), კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური კატეგორია, რ-იც გამოხატავს კაპიტალისტების მიერ დაქირაებული მუშების ექსპლუატაციის ურთიერთობებს. ჰ. ღირებულებაა, რ-საც მოაქვს *ზედმეტი ღირებულება.* იგი ისტ. კატეგორიაა, ე. ი. დამახასიათებელია განსაზღვრული საზ.-ეკონ. ფორმაციისათვის და წარმოიშობა საქონელწარმოების განვითარების იმ საფეხურზე, როცა სამუშაო ძალა საქონლად იქცევა. ჰ-ის თავდაპირველი დაგროვების პროცესში მიმდინარეობდა მწარმოებლების გათიშვა წარმოების საშუალებებისაგან და მათი კაპიტალისტების ხელში თავმოყრა. წარმოების საშუალებებს მოკლებული მწარმოებელი (მუშა) იძულებული იყო თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტისათვის მიეყიდა. ეს პროცესი მოასწავებდა მარტივი საქონელწარმოების კაპიტალისტურად გარდაქმნას. კაპიტალისტი წარმოების პროცესში თავს უყრის წარმოების საშუალებებს და სამუშაო ძალას. წარმოების პროცესში მათი წარმოებრივი მოხმარებისა და ახლად შექმნილი საქონლის რეალიზაციის შედეგად კაპიტალისტი ღებულობს ავანსებულზე უფრო მეტ ღირებულებას. კ. მარქსმა გვიჩვენა, რომ ეს ავანსებული თანხის ნამატი ზედმეტი ღირებულებაა, რ-ის წყაროა კაპიტალისტების მიერ მითვისებული ღირებულების ის ნაწილი, რ-იც იქმნება დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომით. კაპიტალ. წარმოების მიზანია სულ უფრო და უფრო მზარდი მოცულობის ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისება. ამ მიზნის განხორციელების საშუალებაა მუშათა კლასის ულმობელი ექსპლუატაცია. ამიტომ ზედმეტი ღირებულების წარმოება კაპიტალიზმის ძირითადი ეკონ. კანონია. „ზედმეტი ღირებულების წარმოება, ე. ი. მოგების მიღება — ასეთია ამ წარმოების წესის აბსოლუტური კანონი" (კ. მარქსი).

ბურჟ. პოლიტ. ეკონომია ჰ-ს განიხილავს არა როგორც საზ. ურთიერთობას, არამედ როგორც ნივთთა (წარმოების საშუალებათა) ერთობლიობას. ჰ-ის ასეთი გაგების მიზანია იმის მტკიცება, რომ თითქოს მოგება მოაქვს თვით ჰ-ს და იგი არ წარმოადგენს დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის შედეგს. ჰ-ის ნამდვილი მეცნ. ანალიზი პირველად კ. მარქსმა მოგვცა: „...კაპიტალი ნივთი კი არაა, არამედ განსაზღვრული, საზოგადოებრივი, საზოგადოების განსაზღვრული ისტორიული ფორმაციის კუთვნილი წარმოებითი ურთიერთობაა, რ-იც ნივთით გამოიხატება და ამ ნივთს სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს ანიჭებს" („კაპიტალი", ტ. 3, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 442). კ. მარქსმა აღმოაჩინა თვისებრივი განსხვავება მუდმივ ჰ-სა (თავდაპირველად ავანსებული ჰ-ის ნაწილი, რ-იც საჭიროა წარმოების საშუალებების შესაძენად) და ცვალებად ჰ-ს (ავანსებული ჰ-ის ნაწილი, რ-ითაც სამუშაო ძალას ყიდულობენ) შორის. მან გვიჩვენა, რომ წარმოების საშუალებები არ ქმნის ახ. ღირებულებას, წარმოების პროცესში მათი ღირებულება გადაიტანება ახლად შექმნილ პროდუქტზე (საქონელზე) ყოველგვარი ნამატის გარეშე. ახ. ღირებულებას ქმნის სპეციფ. საქონელი, სამუშაო ძალა თავისი მოხმარების დროს, ე. ი. შრომის პროცესში. კ. მარქსმა დაასაბუთა, რომ მხოლოდ მუშის დაქირავებული შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას, რ-საც უსასყიდლოდ ითვისებს კაპიტალისტი. ზედმეტი ღირებულება ექსპლუატატორული კლასების არაშრომითი შემოსავლის საერთო წყაროა, ზედმეტი ღირებულების ხარჯზე ცხოვრობენ ექსპლუატატორთა ჯგუფები — მრეწველები, ვაჭრები, ბანკირები, მიწათმფლობელები.

ჰ-ის ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა მისი წრებრუნვა და ბრუნვა. ყოველი კაპიტალისტი დაინტერესებულია იმით, რომ მისი ჰ. განუწყვეტლად მოძრაობდეს, ე. ი. ასრულებდეს წრებრუნვას. შექმნილ პროდუქტზე ღირებულების გადატანისა და ბრუნვის ხასიათის მიხედვით ჰ. იყოფა ძირითად და საბრუნავ ჰ-ად. კ. მარქსმა გვიჩვენა ბურჟ. ეკონომისტების მიერ ძირითადი და საბრუნავი ჰ-ის მუდმივ და ცვალებად ჰ-თან გაიგიყების უსაფუძვლობა. მისი მოძღვრება ჰ-ისა და ზედმეტი ღირებულების შესახებ მარქსისტულ-ლენინური პოლიტ. ეკონომიის საფუძველია. ეს მოძღვრება შემდგომ განავითარა ვ. ი. ლენინმა, რ-მაც ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთა ჰ-ის მოძრაობას იმპერიალიზმის ეპოქაში და პირველმა ახსნა პოლიტიკური ეკონ. მნიშვნელოვანი კატეგორიის — საფინანსო ჰ-ის — არსი.

სოციალ. საზ-ბაში განუყოფლად ბატონობს წარმოების საშუალებებზე სოციალ. საკუთრება, წარმოების საშუალებები სოციალ. საწარმოთა ძირითადი და საბრუნავი ფონდების სახით გვევლინება, ამიტომ სოციალ. საზ-ბაში წარმოების საშუალებები, საქონელი და ფული არ შეიძლება ჰ-ად გადაიქცეს. *ა. ბაჯელიძე.*

„კაპიტალი", კ. მარქსის მთავარი ნაშრომი, რ-შიც ახსნილია ბურჟუაზიული საზ-ბის მოძრაობის ეკონომიკური კანონი და დამტკიცებულია მისი დაღუპვისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა. ლენინი „ჰ-ს" ახასიათებდა როგორც „...ჩვენი საუკუნის უდიდეს პოლიტიკურ ეკონომიურ ნაწარმოებს" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 13). ამასთან, იგი შესანიშნავი ფილ. და ისტ. თხზულებაა. „იმ დროიდან, რაც დედამიწაზე არსებობენ კაპიტალისტები და მუშები,— აცხადებს ფ. ენგელსი, — ჯერ კიდევ არ გამოცემულა არც ერთი წიგნი, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა ჰქონდეს მუშებისათვის!". კ. მარქსმა ამ თხზულების შექმნას შესწირა თავისი სიცოცხლის 40 წელი (1843—83). ეს სამუშაო მას მიაჩნდა სასიცოცხლო ამოცანად და მუშათა კლასის წინაშე თავის უმნიშვნელოვანეს პარტიულ მოვალეობად.

„ჰ-ის" თავდაპირველი ვარიანტი წარმოდგენილია მარქსის 1857—58 ეკონ. ხელნაწერებში. 1859 გამოცემული „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" არსებითად „ჰ-ის" ერთი ნაწილი იყო. ჯერ კიდევ „ჰ-ის" I ტომის გამოცემამდე მარქსს უკვე შემუშავებული ჰქონდა ამ თხზულების 4 ტომად დაყოფის იდეა. „ჰ-ის" პირველი ტომი გამოვიდა 1867. კ. მარქსი ამ წიგნის კორექტურაზედაც კი უდიდესი გულისხმიერებით მუშაობდა. იგი 1867 წ. 22 ივნ. ენგელსს ანაბეჭდების ახ. თაბახებს უგზავნის და წერს: „...იმედი მაქვს კმაყოფილი დარჩები შემდგომი ოთხი თაბახით. დღემდე შენ კმაყოფილი იყავ და ეს გარემოება ჩემთვის გაცილებით უფრო მეტს ნიშნავს, ვინემ ყოველივე ის, რისი თქმაც კი ამ საკითხზე მთელ დანარჩენ ქვეყანას შეუძლია".

მარქსმა ვერ მოასწრო „ჰ-ის" II და III ტომების დასაბეჭდად მომზადება. მათ რედაქციასა და გამოცემაზე (1885—94) დიდი შრომა გასწია ფ. ენგელსმა.

ამ ტომების გამოცემით ენგელსმა თავის გენიალურ მეგობარს მართლაც აუგო დიდებული ძეგლი, რ-ზედაც უნებლიეთ წარუხოცელი ხაზებით გამოკვეთა თავისი საკუთარი სახელიც. ლენინი წერს: «...„კაპიტალის" ეს ორი ტომი ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის ნაშრომია» (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 14). „ჰ-ის" IV ტომი—„ზედმეტ ღირებულებათა თეორიები"— პირველად გამოსცა კ. კაუცკიმ. მისი რედაქციით გამოსული ტექსტის წყობა არათანამიმდევრული და ნაკლულიცაა. ამ ტომის სრული მეცნ. გამოცემა განახორციელა სკკპ ცკ-თან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტმა (1955—61).

„ჰ-ის" I ტომში გამოკვლეულია კაპიტალ. წარმოების უშუალო პროცესი. კვლევა იწყება ბურჟ. საზ-ბების ეკონ. უჯრედის — *საქონლის* ანალიზით. საქმე ისაა, რომ კაპიტალის წარმოშობის ისტ. წანამძღვრები იყო „საქონლური წარმოება და განვითარებული საქონლური მიმოქცევა, ვაჭრობა" („კაპიტალი", ტ. 1, თბ., 1954, გვ. 188). ამიტომაც საქონლური წარმოების გამოკვლევა აუცილებელი პირობაა კაპიტალის მოძრაობის შესწავლისათვის. საქონლის გაცვლა ამოსავალი ფუნქციაა, რ-იც საქონლური წარმოების სტრუქტურაში შეღწევისა და მისი კანონების აღმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. საქონლის მოძრაობის ანალიზმა უჩვენა, რომ საქონელი სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ერთიანობაა. მარქსმა აღმოაჩინა, რომ საქონლის ორადი ხასიათი გაპირობებულია შრომის ორადი ხასიათით; მან გამოიკვლია ღირებულების ფორმები, რამაც მას საშუალება მისცა აეხსნა, თუ რატომ ღებულობს საქონელში განვითარებული შრომა ღირებულების ფორმას. მან გვიჩვენა, რომ ღირებულება და შრომის პროდუქტის საქონლური ფორმა „...ეს მხოლოდ თვით ადამიანთა გარკვეული საზოგადოებრივი

ურთიერთობაა", რაც მარტოოდენ საქონლურ წარმოებას ახასიათებს. მარქსმა ნათელი გახადა სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საიდუმლოება. ზედმეტი ღირებულების თეორიას ლენინი ახასიათებს როგორც მარქსიზმის ეკონ. მოძღვრების ქვაკუთხედს.

მარქსმა ახსნა კაპიტალ. ექსპლუატაციის მექანიზმი, ცხადყო, რომ კაპიტალისტების მხრივ მუშათა კლასის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების მითვისება კაპიტალ. წარმოების წესის შინაგანი კანონების, პირველ რიგში, ღირებულების კანონის შესაბამისად ხდება და, რომ მუშათა კლასის ექსპლუატაციისაგან განთავისუფლება ვერ განხორციელდება კაპიტალიზმის პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმს ყველა წინანდელ ფორმაციებთან შედარებით უფრო მეტად და ფართოდ შეუძლია განავითაროს საწარმოო ძალები. „კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი ზღვარი თვით კაპიტალია... სამუალება— საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა უცილობელი განვითარება — მუდმივ კონფლიქტშია შეზღუდულ მიზანთან, არსებული კაპიტალის ღირებულების ზრდასთან" („კაპიტალი", ტ. 3, ნაწ. 1, თბ., 1959, გვ. 317—318).

რამდენადაც კაპიტალისტთა კლასი ეწევა მუშათა კლასის ექსპლუატაციას, „კ-ში" მარქსმა დაასაბუთა მუშათა კლასის ერთიანობის აუცილებლობა კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში: გაარკვია მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის გავლენა მუშათა მდგომარეობაზე. მან ნათელყო, რომ მარტივი საქონლური წარმოებისაგან განვითარებული კაპიტალ. საქონლური წარმოება მისგან თვისებრივად, უწინარეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ აქ თვით სამუშაო ძალა იქცევა საქონლად. კაპიტალ. საზ-ბაში მუშათა კლასის მდგომარეობის შესწავლით, სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, ყოველმხრივი ანალიზით მარქსმა დაასაბუთა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა მათ. სიზუსტით ასახავს მუშის ექსპლუატაციის ხარისხს. „...კაპიტალს ერთადერთი სასიცოცხლო მისწრაფება აქვს, მისწრაფება გაადიდოს თავისი ღირებულება, შექმნას ზედმეტი ღირებულება, შეიწოვოს თავისი მუდმივი ნაწილით, წარმოების საშუალებებით, ზედმეტი შრომის რაც შეიძლება მეტი მასა" (იქვე, ტ. 1, გვ. 294—295). ეს მიზანი კი მიიღწევა აბსოლ. და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებით. აბსოლ. ზედმეტი ღირებულება იზრდება სამუშაო დროის გადიდებით, რის წინააღმდეგაც იბრძვის მუშათა კლასი. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება კაპიტალ. საზ-ბაში ტექ. პროგრესისა და „შრომის ზრდის შედეგია", რაც იწვევს აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებას სამუშაო დღის სიდიდის უცვლელობის პირობებში.

მარქსმა გააშუქა მუშათა კლასის ეკონ. ბრძოლის ისტორია და ამ ბრძოლაში საფაბრიკო კანონმდებლობის როლი, მოგვცა მანქანის კაპიტალ. გამოყენების ანალიზი, დეტალურად განიხილა ხელფასის კატეგორია მის ორ ფორმაში. კაპიტალის ორგ. შედგენილობის ზრდის ანალიზით მარქსმა შეიმუშავა კაპიტალის დაგროვების საყოველთაო კანონი და გააშუქა კაპიტალ. დაგროვების ისტ. ტენდენცია. „კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია" (იქვე, ტ. 1, გვ. 956—957). კაპიტალის მიმოქცევის პროცესისა და საზოგადოებრივი მარტივი და გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველზე მარქსმა შეიმუშავა კაპიტალ. ურთიერთობაში საზ. პროდუქტის რეალიზაციის სქემა. იგი გულისხმობს წარმოების დარგთა შორის საზ. პროდუქტის პროპორციულ განაწილებას. მაგრამ კაპიტალიზმის დროს რეალიზაციის პირობები „...კვლავწარმოების არანორმალური მსვლელობის ასევე მრავალ პირობად, კრიზისების ასევე მრავალ შესაძლებლობად გადაიქცევიან, რადგან წონასწორობა — ამ წარმოების სტიქიური ხასიათის პირობებში — თვით არის შემთხვევითობა" (იქვე, ტ. 2, თბ., 1957, გვ. 621).

ფ. ენგელსის მიერ 1895 „კ-ის" III ტომისათვის დაწერილი დამატების აზრი ის იყო, რომ ადვილად გასაგები გაეხადა მისი ზოგიერთი ადგილი და ამასთან ანალიზი გაეკეთებინა ახ. მოვლენებისათვის, რ-თაც თავი იჩინეს კაპიტალიზმის ეკონომიკაში. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში ენგელსმა მიანიშნა კაპიტალიზმის განვითარების ისეთ ახ. მოვლენებზე, როგორიცაა აქციონერულ საზ-ბათა და ტრესტების სწრაფი განვითარება, ბირჟებისა და ბანკების მზარდი როლი მრეწვ. განვითარებაში, კაპიტალის ექსპორტი, კოლონიების განაწილება, რ-ებიც მთასწავებდნენ გადასვლას მონოპ. კაპიტალიზმის — იმპერიალიზმის სტადიაზე. იმპერიალიზმის ლენინური თეორია წარმოადგენს კ. მარქსის ეკონ. თეორიის უშუალო გაგრძელებასა და განვითარებას.

„კ." თარგმნილია 60-ზე მეტ ენაზე. პირველი თარგმანი გამოვიდა რუსულად (ტ. I — 1872, ტ. II — 1885 და ტ. III — 1886). „კ." თარგმნილია სსრკ ხალხთა 22 ენაზე. I ტომის ქართ. თარგმანი პირველად გამოიცა 1931, II —1933, III (1)— 1932, III (2) — 1934.

„ზედმეტი" ღირებულების თეორიები („კ-ის" IV ტ.) გამოიცა სამ ნაწილად— 1966—75. მარქსის ამ თხზულებაზე ქართულად პირველი რეცენზია დაიბეჭდა 1886 (ტ. II, რუს. გამოც.). აქ „კ-ის" ავტორი დახასიათებულია როგორც პოლიტიკური ეკონ. უდიდესი მცოდნე.

ბურჟ. მეცნიერებამ იმთავითვე სასტიკი ომი გამოუცხადა „კ-ს" და საერთოდ მარქსიზმს. გაჩნდნენ რევიზიონისტი „მარქსოლოგები", რ-ებიც ცდილობენ მოძველებულად გამოაცხადონ, უარყონ, დაამახინჯონ მარქსის მოძღვრების რევ. შინაარსი. კაცობრიობის ისტ. განვითარებამ კი დაადასტურა მარქსისა და ენგელსის თეორია პროლეტარიატის, როგორც კომუნისტური საზ-ბის მშენებლობის მსოფლიო ისტორიული როლის შესახებ. „კ-ის" მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშ. მუშათა მოძრაობის პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება. როგორც სკკპ პროგრამაშია ნათქვამი, „მსოფლიო კაპიტალიზმისა და მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის განვითარებამ მთლიანად დაადასტურა კაპიტალიზმისა და მისი უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის მარქსისტულ-ლენინური ანალიზის სისწორე".

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1—3, თბ., 1954—59; მ ი ს ი ვ ე. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 1—3, თბ., 1966—75; მ ი ს ი ვ ე. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, წგნ. 1 — კაპიტალის შესახებ, თბ., 1953; მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., წერილები „კაპიტალის" შესახებ, თბ., 1952; მ ა თ ი ვ ე. რჩეული წერილები, თბ., 1949; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., „კაპიტალის" კონსპექტი, ტფ., 1934; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 1, 2, 21, 24, 28; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, გამოც. მე-4, თბ., 1971; კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, თბ., 1968; ფ ა ნ ცხ ა ვ ა ა., მარქსის „კაპიტალი", თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე. კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები" („კაპიტალის" IV ტომი), თბ., 1977; მ ა რ ქ ს К. и Э н г е л ь с Ф., Соч., 2 изд., т. 16, 20, 23—26, 46; м а т и в е. Письма о «Капитале», М., 1968; Л е н и н В. И., Полн. собр. соч., 5 изд., т. 1, 23, 26, 29; В ы г о д с к и й В. С., К истории создания «Капитала», М., 1970; Л е о н т ь е в Л. А., О предварительном варианте «Капитала» Маркса, М. — Л., 1946; м и с и в е, «Капитал» К. Маркса и современная эпоха, М., 1968; Р о з е н б е р г Д. И., Комментарии к 1—3 томам «Капитала» К. Маркса, М., 1961.

პ. გუგუშვილი.

კაპიტალიზაცია, 1. *ზედმეტი ღირებულების* გადაქცევა კაპიტალად, ე. ი. მისი ვამოყენება კაპიტალ. წარმოების გაფართოებისათვის. კაპიტალიზებული ზედმეტი ღირებულება ქმნის კაპიტალ. დაგროვების ფონდს. იგი, ისე როგორც კაპიტალი, 2 ნაწილად იყოფა: დამატებით მუდმივ კაპიტალად, რ-იც გამოიყენება წარმოების დამატებითი საშუალებების შესაძენად, და დამატებით ცვალებად კაპიტალად, რ-იც დამატებითი სამუშაო ძალის შესაძენად იხარჯება (იხ. *კაპიტალის დაგროვება*). 2. *ფიქტიური კაპიტალის* წარმოქმნის პროცესი. ბურჟ. საზ-ბაში კაპიტალიზდება ყოველი რეგულარულად განმეორებადი შემოსავალი (*მიწის რენტა*, დივიდენდი და სხვ.), რ-იც მიიღება სასესხო პროცენტის საშ. ნორმის მიხედვით, როგორც შემოსავალი ამ პროცენტიდან სესხად გაცემულ კაპიტალზე. ფასიანი ქაღალდების ფლობით მიღებული ყოველი არაშრომითი შემოსავალი განიხილება, როგორც პროცენტი კაპიტალზე, რ-იც სინამდვილეში არ არსებობს (მოჩვენებითი კაპიტალი). გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (აქციები, კორპორაციების და სახელმწ. ობლიგაციები) გარდაიქმნება კაპიტალად, რ-საც მოაქვს პროცენტი (სარგებელი). აქციების კურსის ამაღლება იწვევს ფიქტიურ დაგროვებას კაპიტალისა, რ-იც ხარისხობრივად და რაოდენობრივად განსხვავდება ნამდვილი კაპიტალის დაგროვებისაგან და თავისი კანონზომიერებით ხასიათდება. ამასთან, ფიქტიური კაპიტალის მეტისმეტი გაბერვა და შემდგომი საბირჟო კრახი სერიოზულად მოქმედებს კაპიტალის დაგროვების პროცესზე. იმის გამო, რომ ფიქტიური კაპიტალის მთელი მასა კაპიტალიზებული შემოსავალია, მისი ღირებულების ცვლილება არაა დამოკიდებული რეალური კაპიტალის ღირებულების მოძრაობაზე, რ-საც ის წარმოადგენს. კ. ნიშნავს კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობის შემდგომ ფეტიშიზაციას.

კაპიტალიზმი, წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტურ საკუთრებასა და კაპიტალისტების მიერ დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობილება; უკანასკნელი ანტაგონისტური საზ. ეკონ. ფორმაცია, რ-იც ჩაისახა ფეოდალიზმის წიაღში საზ. შრომის დანაწილებისა და სასაქონლო მეურნ. განვითარების საფუძველზე. კ-ის წარმოშობისა და განვითარების პროცესში ერთის მხრივ წარმოიშვა წარმოების საშუალებებს მოკლებულ ადამიანთა მასა, ხოლო მეორეს მხრივ — კაპიტალისტთა კლასი, რ-ის ხელში თავი მოიყარა უზარმაზარმა ფულადმა სახსრებმა (იხ. *სავაჭრო კაპიტალი, კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება*). კაპიტალ. წარმოების ამოსავალი პუნქტია მარტივი კაპიტალ. კოოპერაცია. საწარმოო ძალების ზრდამ და შრომის საზ. დანაწილების განვითარებამ გააფართოვა საქონელწარმოებისა და მიმოქცევის სფერო, შეარყია *ნატურალური მეურნეობის* საფუძვლები. სოფ. მეურნ. და ხელოსნური წარმოების სპეციალიზაციის გაძლიერების პროცესმა გამოიწვია ქვეყნის ცალკეულ რ-ნებს შორის ეკონ. კავშირის განმტკიცება და ერთიანი ეროვნ. ბაზრის წარმოქმნა. ასე შეიქმნა კაპიტალ. სამეურნეო წყობის ჩამოყალიბების ზოგიერთი წანამძღვარი. ვ. ი. ლენინი კ-ის განვითარე-

ბაში ორ მნიშვნელოვან მომენტს გამოყოფდა: ნატურალური მეურნ. გარდაქმნას სასაქონლო მეურნეობად და ამ უკანასკნელის გადაქცევას კაპიტალ. მეურნეობად (იხ. *სასაქონლო წარმოება*).

დიდმა გეოგრ. აღმოჩენებმა (XV—XVII სს.) ბიძგი მისცა მსოფლიო ვაჭრობის სწრაფ გაფართოებას და მსოფლიო ბაზრის ფორმირებას.

კ. ფეოდალიზმთან შედარებით პროგრ. საზ. წყობილებაა. თავის განვითარებაში მან განვლო სამი სტადია: *მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, მანუფაქტურა* და *მანქანური წარმოება*. წარმოების მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლამ დაჩქარა საწარმოო ძალების განვითარება, წარმოქმნა ახ. დარგები და სამეურნეო ბრუნვაში ჩართო ახ. რესურსები, გაიზარდა ქალაქის მოსახლეობა და გააქტიურდა საგარეო ეკონ. კავშირები. მას თან ახლდა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის გაძლიერება, უმუშევრობის ზრდა, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის დაპირისპირებულობის გაღრმავება. კ-ის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი დამახასიათებელია ყველა ქვეყნისათვის, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარება უკიდურესად არათანაბრად მიმდინარეობდა და ყოველ ქვეყანაში გააჩნდა თავისებურება.

კ-ის განვითარების კლასიკური გზა— კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურული წარმოება, კაპიტალ. ფ-კა — უმთავრესად ინგლისმა და ჰოლანდიამ გაიარა. XIX ს. II ნახევარში ინგლისმა მიაღწია მსოფლიო ბატონობას სამრეწვ., სავაჭრო და ფინანს. სფეროში.

კაპიტალ. ურთიერთობის ჩამოყალიბება საფრანგეთში შედარებით ნელა მიმდინარეობდა კონკრ. ისტ. პირობების გამო. საფრ. დიდმა რევოლუციამ ფეოდ. სისტემის ლიკვიდაციასთან ერთად გამოიწვია წერილი გლეხური მიწათმფლობელობის მყარი სისტემის წარმოქმნა, რ-მაც თავისი დაღი დაასვა ქვეყნად კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

აშშ-ში კ-ის განვითარების მნიშვნელოვანი წანამძღვრები შექმნა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ (XVIII ს. დასასრ.) და სამოქალაქო ომმა (1861—65). მონობის ლიკვიდაციამ, მიწის საკუთრების საკითხის ბურჟ.-დემოკრ. გადაწყვეტამ უზრუნველყო კაპიტალიზმის სწრაფი განვითარება სოფ. მეურნეობაში (იხ. *კაპიტალიზმის განვითარების ორი გზა სოფლის მეურნეობაში*), რ-მაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდას. XIX ს. დასასრ. აშშ სამრეწვ. პროდუქციის მოცულობით მსოფლიოში პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

გერმანიაში ბატონყმური სისტემის ლიკვიდაცია „ზემოდან" განხორციელდა, 1848—49 ბურჟ. რევოლუციამ, გერმ. პოლიტ. გაერთიანებამ და საფრანგეთისაგან მიღებულმა სამხ. კონტრიბუციამ დაჩქარა სამრეწვ. კაპიტალის განვითარება. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ინგლ. და სხვა ქვეყნების ტექ. მიღწევების გამოყენებას.

რუს. სამეურნეო და პოლიტ. ცხოვრებაში ფეოდ. ურთიერთობის ბატონობა უფრო ხანგრძლივი და მტკიცე აღმოჩნდა, ვიდრე დას. ევროპაში. კ-ის ისტორია რუსეთში ორ ძირითად პერიოდად იყოფა: კაპიტალ. ურთიერთობის გენეზისი (XVII ს. II მეოთხედი — 1861) და კაპიტალ. წარმოების წესის დამკვიდრება (1861—1917). კ-ის გენეზისის პერიოდიც ორ ეტაპად იყოფა: კაპიტალ. წყობის ჩასახვა და ჩამოყალიბება (XVII ს. II მეოთხედი — XVIII ს. 60-იანი წწ.) და კაპიტალ. წყობის განვითარება (XVIII ს. 80-იანი წწ. — 1861). კ-ის გაბატონების პერიოდში გამოიყოფა ორი სტადია: აღმავალი კ-ის (1861 — XIX ს. დასასრ.) და იმპერიალიზმისა (XX ს. დასაწყ. — 1917). რუსეთში კ-ის გენეზისის ძირითადი თავისებურებაა მისი შედარებით შენელებული, გაჭიანურებული ხასიათი.

XVII ს. II მეოთხედიდან რუს. მრეწველობაში თანდათან ვითარდებოდა მარტივი კაპიტალ. კოოპერაცია და მანუფაქტურა. ეს უკანასკნელი სამი ტიპის იყო: კაპიტალ., ბატონყმური და შერეული. XVII ს. რუსეთში არსებობდა სამივე ტიპის 40-ზე მეტი მანუფაქტურა. XVIII ს. I ნახევარში სწრაფად განვითარდა კაპიტალ. ტიპის მანუფაქტურა, რ-მაც 60-იანი წწ. დასასრ. 663 მიაღწია. მაგრამ მის შემდგომ განვითარებას ზღუდავდა მუშახელის ნაკლებობა. ამიტომ მთავრობამ მიმართა სახელმწ. გლეხების მიწერას საწარმოებზე. ბატონყმური ქვეყნის თავისებურებათა შედეგად რუს. სამთო მრეწველობაში თვით 1861-მდე წამყვანი მდგომარეობა ბატონყმურ მანუფაქტურას ეჭირა. დამმუშ. მრეწველობაში კაპიტალ. ურთიერთობა უფრო თამამად იჭრებოდა, რასაც მთავრობაც უწყობდა ხელს. 1767 აქ მუშათა 41% თავისუფლად დაქირავებული იყო.

XVII ს. II ნახ. კაპიტალ. ურთიერთობა შეიჭრა სოფ. მეურნეობაშიც. დაიწყო გლეხობის ფენებად დაყოფა. მცირერიცხოვანი მდიდარი გლეხობა გადავიდა სას.-სამ. პროდუქტების სასაქონლო წარმოებაზე ულარიბესი გლეხობის დაქირავების ბაზაზე.

XIX ს. 30-იან წწ. რუსეთში დაიწყო სამრეწვ. გადატრიალება. ხელით შრომაზე დამყარებული მანუფაქტურა ფ-კამ შეცვალა. გრძელდებოდა კ-ის განვითარება სოფ. მეურნეობაში. მიმდინარეობდა კაპიტალ. საზ-ბის ძირითადი კლასების— პროლეტარიატისა და ბურჟ. ჩამოყალიბების პროცესი, იქმნებოდა სრულიად რუს. ბაზარი.

კ-მა როგორც ფორმაციამ, გაიმარჯვა 1861 საგლეხო რეფორმის შედეგად, თუმცა ბატონყმური ნაშთების შემორჩენამ ეკონომიკასა და პოლიტიკაში განაპირობა კ-ის განვითარების ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, გაბატონებული ბურჟ. წარმოებითი უთიერთობა აჩქარებდა საწარმოო ძალების განვითარებას, ბატონყმობის გადმონაშთები კი, თავადაზნაურული მიწათმფლობელობისა და თვითმპყრობელობის სახით, აფერხებდნენ მას. რუს. კ-ის თავისებურება იყო აგრეთვე მისი განვითარება არა მარტო სიღრმეში (კაპიტალ. მრეწვ. და მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება გარკვეულ ტერიტორიაზე), არამედ კაპიტალ. ურთიერთობების გავრცელება ახალ ტერიტორიებზეც (კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და სხვ.), მესამე თავისებურება იყო წარმოების უალრესად დიდი კონცენტრაცია მრეწვ. მთავარ დარგებში.

XIX—XX სს. მიჯნაზე კ. რუსეთში შევიდა მონოპ., იმპერიალისტურ სტადიაში. დაიწყო სოციალ. რევოლუციისათვის აუცილებელი წანამძღვრების ჩამოყალიბება. იმპერიალიზმმა უკიდურესად გაამწვავა კ-ის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, გაიზარდა ის ძალაც — რუს. პროლეტარიატი, რ-საც უნდა გადაეწყვიტა ეს წინააღმდეგობანი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კ-ის ელემენტები XVIII ს. 60-იანი წლებიდან ჩაისახა. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი საქართვ. რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა საქართვ. სოც.-ეკონ. მდგომარეობაში, უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა სოფ. მეურნ. და მრეწვ. განვითარებისათვის. ამავე პერიოდში რკინიგზის მშენებლობამ და, საერთოდ, ტრანსპ. გაუმჯობესებამ საბოლოოდ მოუღეს ბოლო ცალკეული კუთხეების კარჩაკეტილობას. სავაჭრო და კაპიტალ. მიწათმოქმედების განვითარების შედეგად საქართველო ჩაერთო შრომის საზ. განაწილების სრულიად რუს. და მსოფლიო სისტემაში. ამიტომ ბუნებრივია, რომ ბაზრის კონიუნქტურა გავლენას ახდენდა საქართვ. სოფ. მეურნ. დარგობრივ სტრუქტურაზე. ამის შედეგად საქართველოში შეიკვეცა მარცვლეულის სასაქონლო პროდუქცია და დაწინაურდა მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მეაბრეშუმეობისა და სხვ. წარმოება. სავაჭრო და კაპიტალ. მიწათმოქმედების განვითარების გამოხატულება იყო მემამულური მეურნ. ბურჟ. ევოლუცია და გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია — კულაკებისა და სოფ. პროლეტარების გამოყოფა.

რუს. ცარიზმი ხელოვნურად აფერხებდა საქართვ. სამრეწვ. განვითარებას, ცდილობდა ქვეყანა მეტროპოლიის სამრეწვ. პროდუქციის გამსალებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზად გადაექცია. ძირითადად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველო სავაჭრო და კაპიტალ. მიწათმოქმედების განვითარებით რუს. მოწინავე გუბერნიების დონეზე იდგა, მრეწვ. განვითარების მხრივ კი — საგრძნობლად ჩამორჩებოდა მეტროპოლიას.

რევოლუციამდელი საქართველო, მართალია, აგრ. ქვეყნად რჩებოდა (სოფ. მეურნ. მთელი პროდუქციის 60—65% იძლეოდა), მაგრამ განვითარების ტემპითა და ტექ. აღჭურვილობის დონით მრეწველობა მიწათმოქმედებას დიდად უსწრებდა. XIX ს. 80—90-იანი წლებიდან საქართვ. მრეწველობაში მანქანური ინდუსტრია გაბატონდა. მრეწველობა ადგილობრივი რუსი და უცხოელი კაპიტალისტების მეტოქეობა-ბრძოლის ასპარეზად იქცა. ადგილ. კაპიტალმა გაბატონებული მდგომარეობა გადამმუშ. დარგებში შეინარჩუნა, სამთო-საქარხნო მრეწველობაში (ნავთობი, მარგანეცი, სპილენძი) კი უცხ. კაპიტალმა მოიპოვა უპირატესობა. XIX ს. 60-იან წლებში საქართვ. კაპიტალ. საწარმოები უშვებდნენ 2—3 მლნ. მან. პროდუქციას. 1900 გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 42 მლნ. მან., 1913 კი 60 მლნ. მან. გადააჭარბა.

საწარმოო კაპიტალის სწრაფი ზრდის პირობებში შეუძლებელი გახდა სავახშო და სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება, თანდათან გამრავლდა ევრ. ყაიდაზე მოწყობილი სავაჭრო ფირმები და მაღაზიები, ჩამოყალიბდა კაპიტალ. საკრედიტო სისტემა, დაარსდა საადგილმამულო (საიპოთეკო) და კომერც. ბანკები, საურთიერთო კრედიტის საზ-ბანი, ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, გაიხსნა რუს. სახელმწ. ბანკის, რუს.-აზიისა და აზოვ-დონის ბანკების განყ-ბანი. XX ს. დამდეგიდან ბანკებს უკვე აღარ აკმაყოფილებს საკრედიტო ოპერაციები და სავაჭრო-სამრეწვ. საქმიანობასაც იწყებენ.

კ-ის განვითარების პროცესის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა დაქირავებული მუშახელის რაოდენობა. თუ XIX ს. 60-იან წლებში დაქირავებული შრომით თავს ირჩენდა 8—10 ათ. კაცი, 1900 წ.— 140—150 ათ. კაცი (30—35 ათ. დასაქმებული იყო მრეწველობაში, 60—70 ათ. სოფ. მეურნეობაში, 35 — 40 ათ. მომსახურების სფეროში და სხვ.). 1913 კი საქართვ. მრავალეროვანი მუშათა კლასი თავის რიგებში ითვლიდა 200 ათ. კაცს, რაც შეადგენდა ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლ. 20%-ს.

საქართველო განიცდიდა რუს. და მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემაში მიმდინარე პროცესების ზეგავლენას. XIX—XX სს. მიჯნაზე და მომდევნო წლებში აქაც გაძლიერდა კაპიტალისა და სამუშაო ძალის კონცენტრაციის პროცესი, გაიხსნა ფ-კა-ქ-ნები, სადაც დასაქმებული იყო 500—1000, 1000—3000 მუშა. საქართვე-

ლოშიც აღმოცენდა მსხვილი სააქციო საზ-ბანი, დაარსდა დას. ევრ. და რუს. მონოპ. გაერთიანებაოა ფილიალები. ნაკლები ინ-ტენსივობით, მაგრამ აქაც მიმდინარეობ-და სამრეწვ. კაპიტალის შერწყმა საბანკო კაპიტალთან.

XX ს. დასაწყისში კ-ის ევოლუციის შედეგად მსოფლიო ასპარეზზე წარმოიქ-მნა ეკონომიკურად განვითარებული კა-პიტალ. სახელმწიფოების ჯგუფი, რ-თა შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მსოფლიოს ეკონ. და ტერიტ. განაწილებისა და გადა-ნაწილებისთვის.

მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ ა მ დ ე ლ ი კ. კ-ის განვითარების ამ სტადიის ყოველ-მხრივი ანალიზი მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს. მათ შრომებში გახსნილია კ-ის მობრაობის ეკონ. კანონი. მოძღვრებამ *ზედმეტი ღირებულების* შესახებ გვიჩვენა კა-პიტალ. ექსპლუატაციის საიდუმლოება. კა-პიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება გამოწვეულია, ერთი მხრივ, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთ-რების არსებობით, მეორე მხრივ, იმით, რომ წარმოების საშუალებებს ჩამოცილე-ბული მუშები იძულებულნი არიან, არსე-ბობისათვის გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა. კაპიტალისტების მიერ მითვისე-ბული ზედმეტი ღირებულება მათი გამდი-დრებისა და კაპიტალის შემდგომი ზრდის წყაროა. მოგებისადმი გამოდევნება, რ-იც ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი ფორ-მაა, განსაზღვრავს კაპიტალ. წარმოე-ბის წესის მთელ მობრაობას, მ. შ. კაპი-ტალ. კვლავწარმოებას. მონოპოლისტუ-რამდელი კ-თვის ტიპურია თავისუფალი კონკურენცია, რ-იც *მოგების საშუალო ნორმას* წარმოქმნის. წარმოებული სა-ქონლის ღირებულება მოდიფიცირებულია *წარმოების ფასში. კაპიტალისტური დაგ-როვების საყოველთაო კანონის* მოქმედება უკიდურესად ამწვავებს კ-ის ძირითად წინააღმდეგობას — წინააღმდეგობას წარ-მოების საზ. ხასიათსა და მითვისების კერ-ძო კაპიტალ. ფორმას შორის. ეს წინა-ააღმდეგობა განსაკუთრებით მწვავედ ვლი-ნდება პერიოდულად განმეორებად *ეკო-ნომიკურ კრიზისებში*. კ. ქმნის სოციალი-ზმის მატერ. წანამძღვრებს. კ-ის ანტაგო-ნისტური წინააღმდეგობა და ისტ. დაღუპ-ვის აუცილებლობა აისახება ბურჟ. საზ-ბის ზედნაშენშიც. კ-ის მთავარი კლასობ-რივი წინააღმდეგობაა წინააღმდეგობა მუ-შათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. ამ ბრძოლის მსვლელობაში აღმოცენდება რევ. იდეოლოგია, იქმნება სოციალ. რევ. სუბიექტური წანამძღვრები.

მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ ი კ. XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისში კ. შევი-და თავისი განვითარების უმაღლესსა და უკანასკნელ სტადიაში — ი მ პ ე რ ი ა-ლ ი ზ მ შ ი, რ-ის ყოველმხრივი ანალი-ზი მოცემულია ლენინის შრომებში, განს-აკუთრებით შრომაში — *„იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტა-დია“* (იხ. *იმპერიალიზმი*).

კ-ის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ა დ გ ი ლ ი. როგორც საზ-ბის განვითარების კანონ-ზომიერმა სტადიამ, კ-მა პროგრ. როლი შეასრულა. „თავისი კლასობრივი ბატო-ნობის ერთ საუკუნეზე ნაკლები ხნის გან-მავლობაში ბურჟუაზიამ უფრო მრავალ-რიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარ-მოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარ-სულმა თაობამ, ერთად აღებულმა“ (მ ა რ-ქ ს ი კ. დ ა ე ნ გ ე ლ ს ი ფ., კომუ-ნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1952, გვ. 45). მაგრამ საზ. პროგრესი კ-ის პი-რობებში ხორციელდება სოც. წინააღმდე-გობათა მკვეთრი გამწვავების, საწარმოო ძალების ფლანგვისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ტანჯვის ფასად. კ-ის საერთო ჯრი-ზისის ეპოქაში სისტემატურად მცირდება მსოფლიო წარმოებაში მეურნეობის კაპი-ტალისტური სისტემის ხვედრითი წონა. კაპიტალ. წარმოების განვითარების პრო-ცესში ბურჟ. საზ-ბის წიაღში იქმნება კო-მუნისტური წარმოების წესზე გადასვლის ობიექტური მატერ. და სუბიექტური წანა-მძღვრები.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ. დ ა ე ნ გ ე ლ ს ი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1—3, თბ., 1954—59; მ ი ს ი ვ ე, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, წგნ. 1 — კაპიტა-ლის შესახებ, თბ., 1953; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმა-ღლესი სტადია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 22; მ ი ს ი ვ ე, კაპიტალიზმის განვითარება რუ-სეთში, იქვე, ტ. 3; მ ი ს ი ვ ე, სახელმწიფო და რევოლუცია, იქვე, ტ. 25; სკკპ XXV ყრი-ლობის მასალები, თბ., 1976; ბ ე ნ დ ი ა ნ ი-შ ვ ი ლ ი ა., სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ., 1971; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. მონოგრაფიები, ტ. 1—6, თბ., 1949—79; მ ა რ გ ი ა ნ ი გ., საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864—1917, თბ., 1976; საქართველოს ისტო-რიის ნარკვევები, ტ. 5—6, თბ., 1970—72; ხ ო შ ტ ა რ ი ა ე., მრეწველობის განვითა-რება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წგნ. 2, თბ., 1968; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., საქართველოს ეკო-ნომიური ისტორია, წგნ. 1, ტფ., 1930; Переход от феодализма к капитализму в России. Материалы Всесоюзной дискуссии, М., 1969.

ა. ბენდიანიშვილი. ჯ. კახნიაშვილი.

„კაპიტალიზმის განვითარება რუ-სეთში. მ ხ ვ ი ლ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო-ბ ი ს შ ი ნ ა უ რ ი ბ ა ზ რ ი ს წ ა რ-მ ო შ ო ბ ი ს პ რ ო ც ე ს ი“, ლენინის ნაშრომი, რ-შიც მეცნიერულადაა გაანა-ლიზებული XIX ს. ბოლო მესამედში რუ-სეთის ეკონომიკური მდგომარეობა და სო-ციალურ-კლასობრივი სტრუქტურა. გამო-ქვეყნდა 1899 მარტის დამლევს ვლადიმერ ილინის ფსევდონიმით. ნაშრომი, რ-შიც გამოქვეყნებულია მდიდარი მასალა რუს. სოც.-ეკონ. განვითარების შესახებ, ერთ-გვარი გაგრძელებაა კ. მარქსის მიერ XIX ს. 70—80-იანი წწ. დამდეგს რუს. ეკონომი-კის დაწყებული, მაგრამ დაუმთავრებე-ლი გამოკვლევისა. მისი მიზანი იყო „კა-პიტალში“ შემუშავებული ეკონ. თეორიის კონკრეტიზაცია კაპიტალიზმის „კლასიკუ-რი“ ქვეყნისაგან (ინგლისისაგან) არსები-თად განსხვავებული ქვეყნების მაგალითთ-ზე. გამოკვლევა მიმართული იყო „ლეგა-ლური მარქსიზმის“ წინააღმდეგ და მოას-წავებდა ხალხოსნობის—XIX ს. 80—90-იან წლებში რუსეთში მარქსიზმის განვითარე-ბისა და მარქსისტული პარტიის შექმნის გზაზე მთავარი დაბრკოლების — საბო-ლოო იდეურ განადგურებას. ბრძოლის ცენ-ტრში იდგა კაპიტალიზმის განვითარების საკითხი რუსეთში. ამაზე იყო დამოკიდებ-ული რუსეთში პროლეტ. რევ. პერსპექ-ტივები, ე. ი. საქმე ეხებოდა იმას, შეძლებ-დნენ თუ არა მრეწვ. მუშები რევ. გზით წაეყვანათ გლეხობა, რ-იც შეადგენდა მოსახლ. უმრავლესობას (78%).

ნაშრომში გაკრიტიკებულია ლიბერ. ხალხოსნობის მცდარი თეორ. შეხედუ-ლებანი რუსეთში კაპიტალიზმის განვითა-რების შეუძლებლობის შესახებ და მარქსის ეკონ. მოძღვრებაზე დაყრდნობით დასაბუ-თებულია, რომ შრომის საზ. დანაწილე-ბის გაღრმავებამ ყველა ობიექტური პი-რობა მოამზადა რუს. კაპიტალ. გზით გან-ვითარებისათვის. ნაშრომში წარმოჩენი-ლია მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების საერთო სურათი, გაანალი-ზებულია სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარება, ტექ. კულ-ტურების წარმოების გაფართოება, რაც მოასწავებდა რუსეთში კაპიტალიზმისა-თვის საშინაო ბაზრის შექმნას. ამასთან, ნაშრომში ფართოდაა გაშუქებული რუს. მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითა-რების საკითხები, ახსნილია კაპიტალიზ-მის ისტ. მისია, მისი პროგრესულობა ფე-ოდალიზმთან შედარებით, რასაც უარყოფ-დნენ ხალხოსნები, გამომზეურებულია ის ღრმა ანტაგონისტური წინააღმდეგობანი, რ-თა ჩარჩოებშიც მიმდინარეობდა რუს. კაპიტალ. გზით განვითარება. ლენინმა გვიჩვენა, რომ ამ წინააღმდეგობათა გა-მოხატულება იყო პროლეტარიატის კლა-სობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან და მისი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის, ორგანიზებულობის ზრდა. ნაშრომში და-საბუთებულია პროლეტარიატის ხელმძ-ღვანელი როლი რევოლუციაში. ამასთან, ახსნილია გლეხობის როლიც. გაანალი-ზებულია მისი მდგომარეობის თავისებუ-რებანი — ერთი მხრივ, გლეხობა ღრმად იყო დაინტერესებული ბატონყმობისა და ექსპლუატაციის ბატონყმური ფორმების მოსპობით, რაც აახლოებდა მას პროლეტა-რიატთან, მეორე მხრივ, კაპიტალიზმისა და ექსპლუატაციის კაპიტალ. ფორმების განვითარება იწვევდა გლეხობის კლასობ-რივ დიფერენციაციას კულაკებად და ღა-რიბებად. ლენინმა გვიჩვენა, რომ გლე-ხობის ეს ორადი ხასიათი, როგორც მშრო-მელისა და როგორც მესაკუთრისა, განა-პირობებდა გლეხობის მერყეობას ბურჟუ-აზიასა და პროლეტარიატს შორის.

ლენინის ნაშრომს უდიდესი მნიშვნე-ლობა ჰქონდა მარქსისტული პარტიის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული იდე-ური მსოფლმხედველობით შეიარაღებისა და რუსეთში პროლეტ. რევ. პერსპექტი-ვების დასახვისათვის. მასში მოცემული იყო ყოველმხრივი ეკონ. დასაბუთება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაა-ში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და გლეხობის, ხოლო პროლეტარულ რევოლუციაში — მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის — კავ-შირის შესახებ. ლენინმა ეს იდეა უფრო ადრე წამოაყენა თავის ცნობილ წიგნში *«რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და რო-გორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატე-ბი? წინააღმდეგ?»*, რუს. სამი რევ. მსვლე-ლობამ მოლიანად დაადასტურა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ლენინური ანალიზის სისწორე. *ო. შურღაია.*

კაპიტალიზმის განვითარების ორი გზა სოფლის მეურნეობაში, აგრარული ურთიერთობის ფორმების შეცვლის ხან-გრძლივი პროცესი. განვითარებული კა-პიტალისტური წყობილება გულისხმობს კაპიტალის მიერ მიწათმოქმედების სფე-როს სრულ დაუფლებას. კაპიტალიზმამდე-ლი პერიოდისათვის დამახასიათებელია მიწაზე კერძო საკუთრების სხვადასხვა ფორმა, რ-თაგან ყველაზე ტიპურია მიწის მემამულური და გლეხური საკუთრება.

ფეოდ. მიწის საკუთრების კაპიტალის-ტურად გადაქცევის პროცესი ცალკეულ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარების ისტ. პირობების შესაბამისად სხვადასხვა კონკრ. ფორმას ღებულობდა. მ. შ. ორი ძირითადი გზაა ცნობილი: პრუსიული და ამერიკული.

სოფ. მეურნეობაში კაპიტალიზმის გან-ვითარების პრუსიულ გზას ლენინი მემამუ-ლურ გზასაც უწოდებდა. ამ შემთხვევაში ძვ. მემამულური მეურნეობა კი არ ისპობა, არამედ ძირითადად ინარჩუნებს ძალას და რეფორმების გატარების შედეგად თანდა-თანობით გადაიქცევა კაპიტალ. მეურნეო-ბად, რ-იც დაქირავებულ შრომასთან ერთად ბატონყმური ექსპლუატაციის მეთოდებსაც იყენებს. იგი დამახასიათებელი იყო გერ-მანიისა და იტალიისათვის, რევოლუციამ-დელი რუსეთისა და იაპონიისათვის და ა. შ. რუს. სოფ. მეურნეობაში კაპიტალ. ურ-თიერთობის დაჩქარებული განვითარე-ბა დაიწყო 1861 რეფორმის შემდეგ.

სოფ. მეურნეობაში კაპიტალიზმის გან-ვითარების მეორე გზისათვის დამახასია-თებელია მემამულური მეურნ. მსხვრევა ბურჟ. რევ. შედეგად. ამის დადასტურებაა საფრ. 1789 — 94 წლების რევოლუცია, რ-მაც მოსპო მემამულური მიწათმფლობე-ლობა. ასევე აშშ-ში 1861—65 სამოქალაქო

ომმა გამოიწვია სამხრ. შტატების მონათმფლობელური ლატიფუნდიების მოსპობა და სოფ. მეურნ. კაპიტალ. განვითარება. კაპიტალიზმის შეჭრა სოფ. მეურნეობაში ამ გზით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს სოფ. მეურნეობაში საწარმოო ძალთა ზრდის დაჩქარებას.

კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი იმპერიალიზმის ეპოქაში, ვ. ი. ლენინის მიერ აღმოჩენილი მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ობიექტური კანონი, რ-ის მიხედვით ხდება კაპიტალ. ქვეყნების ნახტომისებური ეკონ. და პოლიტ. განვითარება, მსოფლიო ბაზარზე ერთი ქვეყნის პოზიციების გაძლიერება მეორის ხარჯზე, რაც იწვევს უკვე განაწილებული მსოფლიოს პერიოდულ გადანაწილებას, გავლენის სფეროების შეცვლასა და დაპყრობით ომებს, იმპერიალ. ქვეყნებს შორის ბრძოლის საერთო გამწვავებას. ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის დროს კაპიტალიზმმა მიაღწია განვითარების უმაღლეს სტადიას, გაძლიერდა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება, გარდუვალი გახდა იმპერიალ. ომები და შეიქმნა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა. ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის ეპოქის მარქსისტული ანალიზის საფუძველზე აღმოაჩინა ეს შესაძლებლობა, ახ. თეორიით შეაიარაღა პარტია და მუშათა კლასი, ახ. პირობებთან დაკავშირებით განავითარა მარქსისტული პროლეტ. რევ. თეორია. ლენინი წერდა, რომ „ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21, გვ. 417).

პროლეტ. რევ. ლენინური თეორიის სისწორე დაადასტურა პრაქტიკამ, დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუცია ამ გენიალური თეორიის განხორციელების კლასიკური მაგალითია.

II მსოფლიო ომის შემდეგ ევრ., აზიისა და ლათ. ამერ. ქვეყნებში სოციალ. რევოლუციების თანამიმდევრულად გამარჯვებამ კიდევ უფრო გაამწვავა კაპიტალიზმის ეკონ. და პოლიტ. განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება. მასზე დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო სოციალ. სისტემის შექმნამ, აგრეთვე იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის რღვევამ. განვითარების უთანაბრობას აძლიერებს აგრეთვე მეცნ.-ტექ. რევოლუცია, რ-მაც ხელი შეუწყო შრომის საერთაშ. დანაწილების გაფართოებას, ამ ქვეყნების ეკონ. ურთიერთობის გაღრმავებას, რამაც წარმოშვა ახ. წინააღმდეგობანი.

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გამწვავდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი, გაძლიერდა მეტოქეობა იმპერიალ. სახელმწიფოებს შორის, კაპიტალ. ბანაკში გადამწყვეტ როლს ასრულებს ბატონობისა და ძალადობის პრინციპები, ახ. ძალით ელინდება კაპიტალიზმის ეკონ. და პოლიტ. განვითარების უთანაბრობის კანონის მოქმედება, რაც იმას მოწმობს, რომ „...კაპიტალიზმი არის საზოგადოება, რომელსაც მომავალი არა აქვს" (სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 39).

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მ ი ს ი ვ ე, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, იქვე, ტ. 22; მ ი ს ი ვ ე, პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა, იქვე, ტ. 23; კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ , 1969; სკკპ პროგრამა, თბ., 1961; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ , 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976. *ა. ბაჯელიძე.*

კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისი, რ-იც მოიცავს კაპიტალიზმის ყველა სფეროს: ეკონომიკას, პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას. კ. ს. კ. დაიწყო I მსოფლიო ომისა და დიდი ოქტ. სოციალ. რევ. დროიდან. კ. ს. კ-ის ძირითადი ნიშნებია: მსოფლიოს გათიშვა ორ საწინააღმდეგო საზ. სისტემად—სოციალიზმად და კაპიტალიზმად და ბრძოლა მათ შორის; იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის კრიზისი: სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის განვითარება; კაპიტალიზმის მერყეობის და ლპობის ტენდენციების გაძლიერება საზ. ცხოვრების ყველა სფეროში — ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიაში — და მისი შინაგანი წინააღმდეგობების გამწვავება: ბურჟ. პოლიტ. და იდეოლოგიური კრიზისის განვითარება. კ. ს. კ. მოიცავს ხანგრძლივ ისტ. პერიოდს და ხასიათდება ორმხრივი პროცესით. ერთი მხრივ, მსოფლიო კაპიტალ. სისტემას სოციალ. რევ. შედეგად აკლდება ქვეყნები, რაც ძლიერ ასუსტებს კაპიტალიზმს და ავიწროებს კაპიტალ. ბატონობის სფეროს, იზრდება და ღრმავდება მსოფლიო მეურნ. კაპიტალ. სისტემის ყველა წინააღმდეგობა და მასთან ერთად ძლიერდება კაპიტალიზმის რეაქციული თვისებები. მეორე მხრივ, სულ უფრო მეტად ძლიერდება მსოფლიო სოციალ. სისტემა, მრავლდება იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც ფეხს იკიდებს სოციალ. წარმოების წესი. სოციალ. და კაპიტალ. სისტემებს შორის მიმდინარეობს როგორც იდეოლოგიური, ისე პოლიტ. ბრძოლა. ამ ბრძოლაში იმარჯვებს სოციალიზმი, რადგანაც ის გამოხატავს კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობის — მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს: მშვიდობას, თავისუფლებას და პროგრესს. მიუხედავად ასეთი ბრძოლისა, მსოფლიო სოციალ. და კაპიტალ. სისტემის ერთდროული არსებობა ობიექტურად აუცილებელს ხდის მათ მშვიდობიან თანაარსებობას. სოციალ. ქვეყნები თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობიანი თანაარსებობის ხაზს და აღწევენ სოციალ. სისტემის პოზიციების განმტკიცებას კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში. ასეთ ვითარებაში იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები კაპიტალ. ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლისათვის. აღვილდება კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ბრძოლა განთავისუფლებისათვის.

კ. ს. კ-მა განვლო განვითარების სამი ეტაპი. პირველ ეტაპს დასაბამი მისცა I მსოფლიო ომმა და დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციამ. ამ ეტაპზე, რ-იც 20 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, რუსეთში დაინგრა კაპიტალ. წყობილება, შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალ. სახელმწიფო — სსრ კავშირი, რ-ის ზეგავლენა საერთაშორისო ცხოვრებაზე თანდათანობით იზრდებოდა.

II მსოფლიო ომის, აგრეთვე ევრ. და აზიის რიგ ქვეყნებში სოციალ. რევოლუციების მიმდინარეობის დროს დაიწყო კ. ს. კ-ის მეორე ეტაპი, რ-იც გაგრძელდა 50-იანი წლების შუა ხანებამდე. ამ ეტაპის მთავარი შედეგი იყო სოციალ. რევოლუციების გამარჯვება ევრ. და აზიის ქვეყნებში, რის შედეგადაც წარმოიქმნა მსოფლიო სოციალ. სისტემა. დაიწყო იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის რღვევა. კიდევ უფრო გამწვავდა კაპიტალ. ეკონ. წინააღმდეგობანი, კაპიტალიზმი მნიშვნელოვნად შესუსტდა.

ამჟამად კაპიტალიზმი საერთო კრიზისის ახალ, მესამე ეტაპზეა, რ-იც 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. წინა ორი ეტაპისაგან განსხვავებით, იგი დაკავშირებული არ არის მსოფლიო ომთან, რაც მის მნიშვნელოვან თავისებურებას შეადგენს. ის გაიშალა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავების ბაზაზე — მსოფლიო კაპიტალ. და მსოფლიო სოციალ. სისტემების ეკონ. შეჯიბრების პირობებში. იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის დაშლა გადაიზარდა მის სრულ კრახში, რის შედეგადაც მრავალმა ქვეყანამ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გამოეცალა იმპერიალიზმის პოლიტ. ბატონობას. დიდმნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ამერ. კონტინენტზე — კუბაში გაიმარჯვა სოციალ. რევოლუციამ. ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია აგრეთვე კაპიტალიზმის არამყარობისა და ლპობის, მისი ყველა ეკონ. და პოლიტ. წინააღმდეგობის შემდგომი გაღრმავება და გამწვავება, მონოპოლიზაციის პროცესის გაძლიერება.

მას შემდეგ, რაც სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, წარმოიშვა მსოფლიო სოციალ. სისტემის საზ-ბის განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად გადაქცევის ტენდენცია, რაც კ. ს. კ-ის მესამე ეტაპზე რეალობად იქცა.

კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, *ზედმეტი ღირებულების* წარმოებისა და მითვისების კანონი, რ-იც განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების მიზანს, მის არსს, ასახავს ბურჟ. საზ-ბის ძირითად წარმოებითს ურთიერთობას — ურთიერთობას დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის. ეს ურთიერთობა შეადგენს „მთელი საზოგადოებრივი წყობილების... შინაგან საიდუმლოებას, მის ფარულ საფუძველს" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 2, თბ., 1959, გვ. 411). კ. ძ. ე. კ-ის არსი მოცემულია მარქსის მიერ შემუშავებულ ზედმეტი ღირებულების თეორიაში. მასში გამოაშკარავებულია წარმოების კაპიტალ. წესის მოქმედების მექანიზმი და მასზე დაფუძნებული მითვისების წესი, „კრისტალიზაციის ბრთვი", რ-ის ირგვლივ მთელი კაპიტალ. საზ-ბის წესწყობილება ჩამოყალიბდა (ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 245). თუმცა კ. მარქსი არ იყენებდა ტერმინს „კ. ძ. ე. კ.", მაგრამ მან გამოაავლინა ზედმეტი ღირებულების კანონი, როგორც კაპიტალ. წარმოების წესის აბსოლუტური კანონი. „ზედმეტი ღირებულების წარმოება, ანუ ზედმეტი შრომის გამოწოვა, კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ შინაარსსა და მიზანს შეადგენს" (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 377). კ. ძ. ე. კ. კაპიტალ. ეკონ. მოძრაობის კანონია. ზედმეტი ღირებულების კანონით განისაზღვრება სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების განაწილება მატერ. წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის, წარმოების განვითარების მასშტაბები და ტემპები, მისი სტრუქტურული ცვლილება, მეურნ. ახ. დარგების შექმნა, წარმოებაში მეცნ. აღმოჩენების გამოყენება, ტექ. სრულყოფა, დაქირავებული სამუშაო ძალის დასაქმების დონე. კაპიტალ. წარმოების მამოძრავებელი მოტივია „ზედმეტი ღირებულების მიღება და მისი კაპიტალიზაცია, ე. ი. „დაგროვება"» (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 2, თბ., 1957, გვ. 632). კ. ძ. ე. კ. ხასიათდება არა მარტო ზედმეტი ღირებულების წარმოებითა და დაგროვებით, არამედ აუცილებელი პროდუქტის ღირებულების შექმნითაც. *აუცილებელი შრომით* შექმნილი ღირებულება დაქირავებული მუშების არსებობის მთავარი მატერ. პირობაა. იგი შეადგენს კ. ძ. ე. კ-ის მეორე (არა მთავარ) მხარეს, რ-იც გამოკვლეული აქვს მარქსს *სამუშაო ძალის,* როგორც საქონლის თეორიაში. ზედმეტი ღირებულებისა და აუცილებელი პროდუქტის ღირებულების წარმოება დიალექტ. ერთიანობაშია. კ. ძ. ე. კ. მოქმედებას იწყებს იმ ისტ. პირობებში, როდესაც სამუშაო ძალა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ანუ საქონელია და აუცილებელმა პროდუქტმა უკვე მიიღო

ღირებულების ფორმა, რ-იც აუცილებელია მუშის, როგორც საზ-ბის მთავარი საწარმოო ძალის კვლავწარმოებისათვის; მეორე, ეს არის *ზედმეტი პროდუქტის* წარმოება ზედმეტი ღირებულების ფორმით. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად კ. ძ. ე. კ-ის მოქმედება სულ უფრო სრულყოფილად განსაზღვრავს მისი ეკონ. ზრდის ძირითად პროცესებს, წინააღმდეგობათა გამწვავებას, ანტაგონიზმს ორ ძირითად კლასს შორის. ზედმეტი ღირებულების წარმოება წარმოშობს კაპიტალის მუდმივ ტენდენციას სამუშაო დღის გადიდებისაკენ, ეროვნ. შემოსავალში ხელფასის, დაქირავებული შრომის ხვედრი წილის შემცირებისაკენ, სხვა ქვეყნების ხალხთა დამონებისა და ძარცვისაკენ. ამ ტენდენციას შეესაბამება ექსპლუატაციის გაძლიერების ორი წესი — აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება. კ. ძ. ე. კ-ის მეორე მხარე საწინააღმდეგო ტენდენციას წარმოშობს. იგი ვლინდება პროლეტარიატის ბრძოლაში, რ-ის მიზანია საფაბრიკო, შრომითი და სოც. კანონმდებლობის დაცვა, სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის გადიდება და ა. შ. ამ ტენდენციების ურთიერთშეჯამება ვლინდება პროლეტარიატის ექსპლუატაციის ხარისხის ცვლილებებში, რ-იც გამოხატულია ზედმეტი ღირებულების ნორმით.

კ. ძ. ე. კ. მოქმედებს კაპიტალ. წარმოების წესის განვითარების მთელ მანძილზე, მაგრამ მისი გამოვლენის ფორმები სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვანაირია. მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში ამ კანონის მოქმედება გამოვლინდა გარდაქმნილი ფორმით — *მოგების საშუალო ნორმისა* და *წარმოების ფასის* კანონის მეშვეობით, რ-ებიც არეგულირებენ კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობას წარმოების დარგებს შორის. მონოპ. კაპიტალიზმის ეპოქაში კ. ძ. ე. კ. ვლინდება *მონოპოლიური მოგებისა* და *მონოპოლიური ფასის* ფორმით. კ. ძ. ე. კ-ის მოქმედება აღრმავებს და ამწვავებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას— წინააღმდეგობას წარმოების საზ. ხასიათსა და მიითვისების კერძო კაპიტალ. ფორმას შორის. ეს წინააღმდეგობა იწვევს მსოფლიო კაპიტალ. მეურნ. ანარქიას, უმუშევრობასა და კრიზისებს, ამზადებს პირობებს კაპიტალიზმის რევ. გზით სოციალიზმად შეცვლისათვის. კ. ძ. ე. კ-ს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საზ-ბის კლასობრივი სტრუქტურის ფორმირებაში.

ზედმეტი ღირებულების მარქსისტული თეორია კაპიტალიზმის კანონზომიერებათა შესწავლისა და მისი აუცილებელი დაღუპვის მეცნ. დასაბუთების საფუძველია. ლენინს მხედველობაში ჰქონდა ზედმეტი ღირებულების თეორიის მნიშვნელობა მუშათა კლასის რევ. ბრძოლისათვის, როცა მას კ. მარქსის ეკონ. მოძრაობის ქვაკუთხედი უწოდა. *რ. ასათიანი.*

კაპიტალის აკუმულაცია, იხ. *კაპიტალის დაგროვება.*

კაპიტალის გატანა, საზღვარგარეთ მონოპოლიურად მაღალი მოგებისა და სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლობის მიღების მიზნით კაპიტალის დაბანდების ფორმა. იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის გასატანი კაპიტალი, განასხვავებენ კერძო კ. გ-ს და სახელმწ. კ. გ-ს. ფუნქციური ფორმისა და კონკრ. მიზნობრივი მიმართულების მიხედვით გასატანი კაპიტალი ორი სახისაა: საწარმოო და სასესხო. პირველ შემთხვევაში საწარმოო ექსპორტირებულ კაპიტალს მისი მესაკუთრე აბანდებს იმპორტიორი ქვეყნის სახ. მეურნ. ამა თუ იმ დარგში მოგების მისაღებად. სასესხო კაპიტალს კი სესხად აძლევენ სხვა ქვეყნის კაპიტალისტებსა და მთავრობას მტკიცედ ფიქსირებული სარგებლის მისაღებად.

საწარმოო კ. გ. შეიძლება ორი ფორმით: 1. კაპიტალის პირდაპირი დაბანდებით (კაპიტალის მეპატრონენი ყიდულობენ საზღვარგარეთის ქვეყნის სამრეწვ., სავაჭრო და ა. შ. საწარმოთა აქციებს და მთლიანად ფლობენ და აკონტროლებენ მათ საქმიანობას); 2. კაპიტალის საპორტფელო დაბანდებით (კაპიტალის მეპატრონის მიერ შეძენილი უცხოეთის საწარმოს აქციების რაოდენობა მასზე მთლიან კონტროლს ვერ უზრუნველყოფს).

განვითარებული კაპიტალ. ქვეყნებიდან კ. გ-ის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ შეზღუდულია ბურჟ. საკუთრებაში არსებული უდიდესი რაოდენობის მატერ. და ფულადი საშუალებების ქვეყნის შიგნით დაბანდების, მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობანი. ამის შედეგად წარმოიქმნება შეფარდებითი „ჭარბი" კაპიტალი, რ-იც ისწრაფვის მოგების მაღალი ნორმის მიღებას.

იმპერიალიზმის დროს კ. გ. სულ უფრო და უფრო იზრდება. მაგ., 1914—18 წლებში კ. გ. უდრიდა 44 მლრდ. დოლარს, 1973 კი — 400 მლრდ. დოლარზე მეტს. II მსოფლიო ომის (1939—45) წინა წლებში კერძო კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი განვითარებული კაპიტალ. ქვეყნებიდან ჩამორჩენილ ქვეყნებში გაჰქონდათ. 1960—70-იანი წლებიდან კი მის ძირითად ნაწილს განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში აბანდებენ. ამის მიზეზია ამ ქვეყნების ეკონ. სტრუქტურაში მომხდარი ის დიდი ძვრები, რ-ებიც მიმდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, სამეცნ.-ტექ. რევ. და იმპერიალ. კოლონ. სისტემის დაშლის ზეგავლენით.

კაპიტალის დაგროვება, კაპიტალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესში ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად. კ. დ-ის წყაროა დაქირავებული მუშების აუნაზღაურებელი შრომა — ზედმეტი ღირებულება. მისი მამოძრავებელი სტიმულია კონკურენციაში გამარჯვება და მაქს. მოგების მიღება. კ. დ-ის პროცესი გულისხმობს კაპიტალ. წარმოებითი ურთიერთობის, ე. ი. ექსპლუატაციის გაფართოებული მასშტაბით კვლავწარმოებას. კ. დ-ის მოცულობა განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების აბსოლ. სიდიდით და დაგროვების ნორმით. ამ უკანასკნელის უცვლელობისას კ. დ-ის სიდიდე მთლიანად ზედმეტი ღირებულების სიდიდეზეა დამოკიდებული. ყველა ფაქტორი, რ-იც ხელს უწყობს ზედმეტი ღირებულების ზრდას, აჩქარებს კ. დ-ს. ამ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია მუშათა ექსპლუატაციის ხარისხის ამაღლება, მათი ხელფასის სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა დაწევა, შრომის მწარმოებლური ძალის ამაღლება და სხვ. ამიტომაც აბსოლ. და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების გადიდების ყველა მეთოდი ქმნის საფუძველს კაპიტალისტის პირადი მოხმარების შეუცვლელად გაიზარდოს კ. დ-ის პროცესი.

კ. დ. აძლიერებს წარმოებისა და შრომის განსაზოგადოების პროცესს და ამით წარმოშობს კაპიტალიზმის შეცვლის ობიექტურ და სუბიექტურ წანამძღვრებს. კ. მარქსმა და ვ. ლენინმა დაახასიათეს კ. დ-ის ისტ. ტენდენცია, რითაც ცხადი გახადეს, თუ რა როლს ასრულებს საზ-ბის განვითარებაში კაპიტალიზმი და როგორია მისი ისტორიულად გარდამავალი ხასიათი. კ. დ-ის პროცესში საწარმოო ძალთა განვითარება ისეთ დონეს აღწევს, როცა კაპიტალ. გარსი მათი შემდგომი განვითარების მუხრუჭად გადაიქცევა და ირღვევა. იგი ადგილს უთმობს უფრო პროგრ. საზ. წყობილებას — სოციალიზმს.

დ. თოფურია.

კაპიტალის „დემოკრატიზაცია", ბურჟუაზიული კონცეფცია, რ-იც წამოაყენა პრუდონმა XIX ს-ში. კ. „დ-ის" მიხედვით, მოსახლეობაში წვრილი აქციების გავრცელება იწვევს საკუთრების დიფუზიას. II მსოფლიო ომის შემდეგ იგი გახდა „სახალხო კაპიტალიზმის" თეორიის შემადგენელი ნაწილი. კ. „დ-ის" ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევრული მომხრეა ამერ. ეკონომისტი მ. სალვადორი. მისი მტკიცებით, საკუთრების დიფუზიამ გამოიწვია აშშ-ის მოსახლ. უმრავლესობის გაბურჟუება ანუ კაპიტალ. ეკონომიკის დემოკრატიზაცია და მისი ტრანსფორმაცია სახ. კაპიტალიზმში. სინამდვილეში, ინდივიდ. კაპიტალ. კერძო საკუთრების გადაზრდა აქციონერულ საზ-ბაში არ იწვევს მისი სოც.-ეკონ. ხასიათის შეცვლას. კაპიტალის აქციონერული ფორმა მხოლოდ ნიღბავს ფინანს. კაპიტალის ეკონ. ბატონობას, მართალია, იურიდიულად აქციის ყოველ მფლობელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მართვაში, მაგრამ ეს ფორმალური უფლებაა, რამდენადაც აქციონერულ საზ-ბაში ხმების რაოდენობა დამოკიდებულია აქციების რაოდენობაზე. ამერ. ეკონომისტის ვ. პერლოს გაანგარიშებით, მარტო დიუპონების ოჯახი ათჯერ მეტ აქციას ფლობდა, ვიდრე აშშ-ის მუშები ერთად აღებული. კ. „დ-ის" პროპაგანდა მონოპოლიების ხელში დამატებითი ფულადი კაპიტალის თავმოყრის რეკლამაა. კ. „დ-ის" თეორიის სოც. დანიშნულებაა შექმნას შრომისა და კაპიტალის ინტერესთა ერთიანობის ილუზია და უარყოს კლასობრივი ბრძოლის მარქსის-ტულ-ლენინური თეორია.

ჯ. კანნიაშვილი.

კაპიტალის ექსპორტი, იხ. *კაპიტალის გატანა.*

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება, წარმოების საშუალებებიდან უშუალო მწარმოებლების გამოცალკევების იძულებითი პროცესი, რ-ის დროსაც პროლეტარიატი და ბურჟუაზია ყალიბდებოდა როგორც კლასი. კ. თ. დ-ს ახასიათებს ორი უმნიშვნელოვანესი ნიშანი: 1. წვრილ საქონელმწარმოებელთა (ძირითადად გლეხობის) მასობრივი გაჩანაგება, რის შედეგადაც ისინი იურიდიულად თავისუფალნი ხდებიან და, წარმოების საშუალებებს მოკლებულნი, იძულებულნი არიან თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ კაპიტალისტებს. 2. ცალკეულ მცირერიცხოვან პირთა ხელში ფულადი რესურსების თავმოყრა, რაც მათ კაპიტალ. საწარმოთა ორგანიზაციის შესაძლებლობას აძლევს.

კ. თ. დ-ის ერთიან პროცესში გლეხთა ექსპროპრიაციის ყველაზე სრულყოფილ სურათს იძლევა ინგლ. ისტორია. იქ შემოღობვის გზით გლეხთა სათემო მიწების ხელში ჩაგდება ლორდებმა ჯერ კიდევ XIII ს-ში დაიწყეს; წართმეულ მიწებს ცხვრის საძოვრებად აქცევდნენ ან მსხვილ ფერმერებს არენდით აძლევდნენ მეურნ. კაპიტალ. საწყისებზე მოსაწყობად.

მსხვილი კაპიტალის თავმოყრა ფერმერებისა და მრეწველი კაპიტალისტების ხელში კ. თ. დ-ის ეპოქაში შედარებით ნელა მიმდინარეობდა. ამიტომ ახ. კლასის ფორმირების საქმეში გადამწყვეტი როლი ვაჭრებმა და მევახშეებმა ითამაშეს, რ-ებმაც ფართოდ გამოიყენეს კოლონ. ქვეყნები, სახელმწ. სესხები, საგადასახადო სისტემა და სამრეწვ. პროტექციონიზმის პოლიტიკა. ამ პროცესს აძლიერებდა XV—XVI სს-ში დიდი გეოგრ. აღმოჩენები.

რუსეთში მსხვილი კაპიტალის ფორმირების პროცესი XVI ს-ში დაიწყო. იგი ემყარებოდა საგარეო და საშინაო ვაჭრობის განვითარებას, ვაჭართა კლასის მიერ ურალის, ციმბ., შორეული აღმ. ხალხების გაძარცვასა და მევახშეობას.

საქართველოში კ. თ. დ-ის უწყვეტი პროცესი დაიწყო რუსეთთან შეერთების პირველივე ათეულ წლებში. ამ მხრივ ერთგვარი გადამწყვეტი როლი ითამაშა 1821 შემოღებულმა შეღავათიანი ტრანზიტით ვაჭრობამ, რ-მაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ფულადი კაპიტალისა და მოძრავი ქონების დაგროვებას, უცხოეთთან სისტემატური ვაჭრობის, ვაჭართა კლასის წარმოშობისა

და სხვა დამახასიათებელ მოვლენათა თანამიმდევრულ განვითარებას. *რ. ქუტიძე.*

კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, ეროვნული კაპიტალების გადახლართვისა და გაერთიანების პროცესი. კ. ი-ის ობიექტური საფუძველია კაპიტალ. ქვეყნებს შორის *შრომის საერთაშორისო დანაწილების* გაღრმავება, *წარმოების ინტერნაციონალიზაცია.* კ. ი-ის პროცესში უმნიშვნელოვანესია საერთაშ. მონოპოლიების წარმოშობა. კაპიტ. ექსპორტის მეშვეობით უმსხვილესი ეროვნ. კაპიტალ. კორპორაციები გადაიქცევიან ტრანსეროვნულ კომპანიებად. ფორმით ეროვნ. კაპიტალი თავისი ინტერესების სფეროსა და გამოყენების ხასიათით გარდაიქმნება საერთაშ. კაპიტალად. მაგ., ამერ. ორი უმსხვილესი საავტომობილო კომპანია („ჯენერალ მოტორზი" და „ფორდ მოტორზი") უშვებს კაპიტალ. სამყაროს ავტომობილების წარმოების 60%-ზე მეტს, მ. შ. აშშ — 80%, დიდი ბრიტანეთი — 40%, გფრ — 30%. კ. ი-ის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სხვადასხვა კაპიტალ. ქვეყნის კომპანიების კავშირის გადახლართვა და წარმოშობა საერთაშ. სამრეწვ., საბანკო და სხვა მონოპოლიებისა, რ-ებშიც ცალკეული ქვეყნის მონოპოლიათა ჯგუფების ინტერესებია წარმოდგენილი. კ. ი. კაპიტალ. სამყაროში ინტეგრაციული პროცესების გაძლიერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კ. ი-ს უპირისპირდება ეროვნ. მასშტაბით კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. კ. ი. ახალ პრობლემებს აყენებს საერთაშ. მუშათა მოძრაობის წინაშე. კაპიტალ. ქვეყნების მუშათა კლასს უპირისპირდება ინტერნაც. კაპიტალი, რ-იც საფრთხეს უქმნის მუშათა სოციალ. მონაპოვარს. ეს კი განაპირობებს საერთაშ. მუშათა მოძრაობის ერთიანობის აუცილებლობას.

ჯ. კახნიაშვილი.

კაპიტალის კონცენტრაცია, ინდივიდუალური კაპიტალის მოცულობის ზრდისა და გამსხვილების პროცესი, რ-საც საფუძვლად უდევს ზედმეტი ღირებულების ნაწილის კაპიტალად გადაქცევა. კ. კ. განსხვავდება *კაპიტალის ცენტრალიზაციისაგან.* კაპიტალის გადიდების ეს ორი საშუალება ურთიერთდაკავშირებულია და მხოლოდ კაპიტალის ზრდის წყაროებით განსხვავდება.

კ. კ-ის დროს ვითარდება წარმოების ტექ. ბაზა, კონცენტრაციის პროცესის დროს უფრო მეტი რაოდენობით და სრულად იყენებენ უახლეს ტექნიკას, რის შედეგად მაღლდება კაპიტალის ორგანული შედგენილობა. ეს უკანასკნელი კი იწვევს მოგების ნორმის შემცირებას და აიძულებს კაპიტალისტებს გაზარდონ წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის აბსოლ. სიდიდე. მსხვილი კაპიტალ. საწარმოების შექმნას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი, რ-იც სულ უფრო და უფრო ჩქარდება კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად. იგი უკიდურესად ამწვავებს კაპიტალ. საზ-ბის ყველა წინააღმდეგობას. კაპიტალის მასშტაბების ზრდის ერთდროულად შეფარდებით მცირდება ცვალებადი კაპიტალის ხვ. წ., რაც იწვევს შრომის სარეზერვო არმიის წარმოქმნას.

XIX ს. დამლევსა და XX ს. დამდეგს წარმოებისა და კ. კ-მ და ცენტრალიზაციამ გამოიწვია სამრეწვ. მონოპოლიების წარმოშობა (იხ. აგრეთვე, *კაპიტალის დაგროვება, წარმოების კონცენტრაცია*).

ჯ. კახნიაშვილი.

კაპიტალის მიგრაცია, იხ. *კაპიტალის გატანა.*

კაპიტალის ორგანული შედგენილობა, კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობა, ე. ი. მუდმივი კაპიტალის თანაფარდობა ცვალებადთან. წარმოების პროცესში ყოველი ფუნქციური კაპიტალი მოიცავს ტექ. და ღირებულებითს შედგენილობას. ნივთობრივ-ნატურალურ ფორმაში *კაპიტალი იყოფა წარმოების საშუალებებად* (მანქანები, გაწყობილობა, ნედლეული, დამხმარე მასალები) და *სამუშაო ძალად.* მათ შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული თანაფარდობა. შეფარდებას წარმოების საშუალებების მასისა და მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამუშაო ძალის რაოდენობას შორის ეწოდება კაპიტალის ტექ. შედგენილობა. იგი ასახავს საწარმოო ძალების განვითარების დონეს. შეფარდებას კაპიტალის ნივთობრივ და სამუშაო ძალის ღირებულებითს ფორმას შორის ეწოდება კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობა. კაპიტალის ტექ. და ღირებულებითს შედგენილობას შორის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობა კაპიტალის ტექ. შედგენილობით განისაზღვრება და ამ შედგენილობის ცვლილებებს ასახავს. თუმცა იგი შეიძლება შეიცვალოს მისი ტექ. შედგენილობის უცვლელობის პირობებშიც, ეს შეიძლება მოხდეს წარმოების საშუალებების გაძვირების ან გაიაფების შემთხვევაში. მაგრამ, როგორც წესი, დროის ხანგრძლივ პერიოდში კაპიტალის შედგენილობა იცვლება ტექ. შედგენილობის ცვლილების შედეგად. ტექ. პროგრესი განაპირობებს კაპიტალის შედგენილობაში მუდმივი კაპიტალის ხვედრითი წილის გადიდებას. კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობს კაპიტალის დაგროვების ბაზაზე, რ-საც თან ახლავს კ. ო. შ-ის ზრდა. კ. ო. შ-ის ზრდა განპირობებულია ზედმეტი ღირებულების კანონის მოქმედებით. მოგებით დაინტერესებული კაპიტალისტები თავიანთ საწარმოებში ახ. ტექნიკის დანერგვით ცდილობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და ამის შესაბამისად საქონლის ინდივიდ. ღირებულების შემცირებას, რაც იწვევს კ. ო. შ-ის ამაღლებას. ამავე მიმართულებით მოქმედებს კაპიტალ. კონკურენცია და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის კანონი. მაშასადამე, კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე კ. ო. შ-ის ამაღლება ობიექტური ეკონ. აუცილებლობაა. *ჯ. კახნიაშვილი.*

კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი, კაპიტალისტური წარმოების წესის უმნიშვნელოვანესი კანონი, რ-ის თანახმად „რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი სიმდიდრე, მოქმედი კაპიტალი, მისი ზრდის მოცულობა და ენერგია, მაშასადამე, რაც უფრო მეტია აგრეთვე პროლეტარიატის აბსოლუტური სიდიდე და მისი შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო დიდია სამრეწველო სარეზერვო არმია. თავისუფალი სამუშაო ძალა იმავე მიზეზების გამო ვითარდება, რა მიზეზებითაც ვითარდება კაპიტალის გაფართოების ძალა. მაშასადამე, სამრეწველო სარეზერვო არმიის შეფარდებითი სიდიდე იზრდება სიმდიდრის ძალებთან ერთად. მაგრამ რაც უფრო დიდია ეს სარეზერვო არმია აქტიურ მუშათა არმიასთან შედარებით, მით უფრო მასობრივია მყარი ჭარბმოსახლეობა, რომლის სიღატაკეც უკუფარდობაშია მის შრომით დატანჯულობასთან. ბოლოს, რაც უფრო დიდია მუშათა კლასის ღატაკი ფენები და სამრეწველო სარეზერვო არმია, მით უფრო დიდია ოფიციალური პაუპერიზმი. ეს კაპიტალისტური დაგროვების აბსოლუტური საყოველთაო კანონია" (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 811—812). კონკურენციული ბრძოლა კაპიტალისტებს აიძულებს დანერგონ წარმოებაში ახ. ტექნიკა, აამაღლონ შრომისნაყოფიერება და ინტენსიურობა, შეამცირონ პროდუქციის ერთეულზე წარმოების ხარჯები. წარმოებაში ახ. ტექნიკის დანერგვა ამაღლებს საზ. *კაპიტალის ორგანულ შედგენილობას,* რაც უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების საფუძველია. ამ შემთხვევაში ერთი და იმავე რაოდენობის სამუშაო ძალას მოძრაობაში მოჰყავს სულ უფრო და უფრო მეტი წარმოების საშუალებები, ე. ი. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეფარდებით ეცემა, რაც *შეფარდებით ჭარბმოსახლეობას* წარმოშობს. ეს პროცესი განაპირობებს *ხალხმოსახლეობის კაპიტალისტური კანონის* მოქმედებას.

კაპიტალ. დაგროვების პროცესის საერთო შედეგია შრომის სარეზერვო არმიის წარმოქმნა, მუშა-მოსამსახურეების სრული და ნაწილობრივი უმუშევრობა. მაგ., 1979 განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში უმუშევართა რაოდენობამ 15 მლნ-ზე მეტი კაცი შეადგინა.

ჭარბმოსახლეობა შეფარდებითი ცნებაა. მოსახლეობა ჭარბია არა საერთოდ, არამედ მასზე კაპიტალის მოთხოვნის თვალსაზრისით, რაც განპირობებულია ზედმეტი ღირებულების ამოქაჩვისა და მისი ნორმის ამაღლების ინტერესებით. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა აძლიერებს კაპიტალ. ექსპლუატაციის ბერისს.

კ. დ. ს. კ-ის მოქმედება მრავალრიცხოვან მოვლენებშია მოდიფიცირებული. ამ გარემოებას კაპიტალიზმის აპოლოგეტები იყენებენ კ. დ. ს. კ-ის არსებობის უარსაყოფად, კაპიტალ. სინამდვილის შესალამაზებლად. სინამდვილეში კ. დ. ს. კ-ის მოქმედი ყველა ფაქტორი დაკავშირებულია მუშათა კლასთან და ყველა მშრომელის ბრძოლასთან კაპიტალ. ექსპლუატაციის წინააღმდეგ. მსოფლიო სოციალიზმის არსებობა ბურჟუაზიას აიძულებს უფრო დამთმობი გახდეს პროლეტარიატის მოთხოვნების წინაშე. ომამდელ პერიოდთან შედარებით კაპიტალ. ქვეყნებში საშ. რეალური ხელფასის ზრდა, როგორც წესი, უფრო არსებითია. ამასთან, სხვაობა ხელფასის მომატებასა და საწარმოო ძალებით განსაზღვრულ საზ. მოთხოვნილებას შორის მკვეთრად გაძლიერდა. უფრო მძიმე გახდა თანამედროვე ტექნიკით გამოწვეული შრომის ინტენსიფიკაციის შედეგები. კ. დ. ს. კ-ის მოქმედება ობიექტურად იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. მაგ., 1974 აშშ-ში რეგისტრირებული იყო 5,9 ათ. გაფიცვა, რ-შიც მონაწილეობდა 2,7 მლნ. კაცი. დაკარგულ კაცდღეთა რაოდენობამ 48 მლნ. შეადგინა. სულ განვითარებულ კაპიტალ. ქვეყნებში რეგისტრირებული იყო 31 ათასზე მეტი გაფიცვა, რ-ებშიც მონაწილეობდა დაახლოებით 27 მლნ. კაცი და დაიკარგა 100 მლნ-ზე მეტი კაცდღე. კ. დ. ს. კ-ის მოქმედება ადასტურებს კაპიტალ. წარმოების წესის დაღუპვის აუცილებლობას.

ჯ. კახნიაშვილი.

კაპიტალისტური ეკონომიკის მილიტარიზაცია კაპიტალისტური მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაყვანა სამხედრო დანიშნულების საქონლის წარმოებასა და მომსახურებაზე. კ. ე. მ-ის პროცესი მკვეთრად ძლიერდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქაში. მილიტარიზმის არნახული განვითარების შედეგად სამხ. მოხმარებისათვის გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება კაპიტალ. ეკონ. განუყოფელი ნაწილი გახდა. ეკონ. სახელმწ.-მონოპ. რეგულირება მნიშვნელოვანწილად სამხ.-ეკონ. მზადების ფორმით ხორციელდება. საკმარისია, ითქვას, რომ სამხ. ხარჯი აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის გასავლის 30%-ა. ამრიგად, სამხ. ხარჯი ანუ სამხ. მოხმარება ერთობლივი სახელმწ. მოხმარების შემადგენელი ნაწილია და გავლენას ახდენს კაპიტალ. ბაზრის ტენდენციებზე.

მილიტარიზმი დაკავშირებულია მონოპ. კაპიტალიზმის სოც. პოლიტიკასა და სტრატეგიასთან. «თანამედროვე მილიტარიზმი კაპიტალიზმის შედეგია. თავისი ორივე ფორმით იგი არის კაპიტალიზმის „ბუნების გამოვლინება": როგორც სამხედრო ძალა, რომელსაც იყენებენ კაპიტა-




კავკასიური ოჯახი
ქართველური ჯგუფი
1 ქართველები
აფხაზურ-ადიღური ჯგუფი
2 ადიღეელები
3 ყაბარდოელები
4 ჩერქეზები
5 აფხაზები
6 აბაზები
ნახური ჯგუფი
7 ჩეჩნები
8 ინგუშები
დაღესტნური ჯგუფი
9 ავარიელები
10 ლაკები
11 დარგუელები
12 კრინები
13 უდიები
ინდოევროპული ოჯახი
სლავური ჯგუფი
21 რუსები
უკრაინელები
სომხური ჯგუფი
23 სომხები
ირანული ჯგუფი
24 ოსები
25 ქურთები
ნოღაელები

ლისტურრი სახელმწიფოები თავიანთ საგარეო შეიტაკებათა დროს... და როგორც იარაღი, რომელიც გაბატონებული კლასების ხელში პროლეტარიატის ყოველგვარი (ეკონომიური და პოლიტიკური) მოძრაობის დათრგუნვის საშუალებას წარმოადგენს» (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 222—223). მილიტარიზმის აღნიშნული ფუნქციები დღესაც მთლიანად შენარჩუნებულია. სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის პირობებში მას გაუჩნდა ახ. ფუნქცია— „ეკონომიკური ფუნქცია", რ-ის მეშვეობით მონოპოლისტები იღებენ ზღაპრულ მოგებას და ომის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში „აარეგულირებენ" კაპიტალ. ეკონომიკას. ოფიც. მონაცემებით, აშშ-ში სამხ. პროდუქციის მიმწოდებელი დარგების საშ. მოგების ნორმა 55% აღემატება, მაშინ როდესაც გადამუშავებით მრეწველობაშიც ეს მაჩვენებელი 3-ჯერ ნაკლებია. მონოპოლიურად მაღალი ზემოგების გამოღებებაამ განაპირობა რიგ ქვეყნებში სამხ. სამრეწვ. კომპლექსების ჩამოყალიბება.

ჰ. ე. მ. აძლიერებს საზ. კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის დეფორმაციას და ამწვავებს მის წინააღმდეგობებს. უპირველეს ყოვლისა, იგი იწვევს განსაზღვრულ ცვლილებებს კაპიტალ. წარმოების სტრუქტურაში. მაგ., უფრო სწრაფი ტემპით იზრდება სამხ. პროდუქციის წილი მთელი სამრეწვ. პროდუქციის მოცულობაში. ეს კი, თავის მხრივ, ახ. მოთხოვნებს უყენებს იმ დარგებსა და საწარმოებს, რ-ებიც სამხ. დაკვეთებს იღებენ.

კაპიტალ. ეკონ. სტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამეცნ.-კვლ. მუშაობის ზრდა სამხ. მიზნებისათვის. მეცნ.-ტექ. რევოლუციამ ამ პროცესს მილიტ. ხასიათი მისცა. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალ. ქვეყნების სამხ. წარმოებაში დასაქმებულია სამეცნ. და ინჟინერ-ტექ. პერსონალის 50%-ზე მეტი.

კაპიტალ. ეკონომიკაზე მილიტარიზაციის გავლენა რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. იგი დროის განსაზღვრულ მონაკვეთში იწვევს ამა თუ იმ კაპიტალ.. ქვეყნის ეკონ. აღმავლობას, ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, დასაქმებულობის ამაღლებას და ა. შ., მიუხედავად ამისა, ჰ. ე. მ-ს არ შეუძლია ეკონ. კრიზისების გადალახვა, პირიქით, მის გამომწვევ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია. ჰ. ე. მ-ს საბოლოოდ მივყავართ კაპიტალ. ეკონ. დისპროპორციულობის უკიდურეს გამწვავებამდე და ეკონ. ზრდის შენელებამდე. მილიტარიზმი, ერთი მხრივ, ამდიდრებს მონოპ. ბურჟ. ცალკეულ ჯგუფებს, მეორე მხრივ, იგი იწვევს ერების დაუძლურებას, ხალხების გაჩანაგებას, რ-ებსაც ტანჯავს გადასახადები, მზარდი ინფლაცია და სიძვირე.

ჯ. კახნიაშვილი.

კაპიტალისტური მონოპოლიები, მსხვილი სამეურნეო გაერთიანებები (კარტელი, სინდიკატი, ტრესტი, კონცერნი და ა. შ.), რ-ებიც კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნის და წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის მაღალი დონისა და მონოპოლიური ფასების დაწესების საფუძველზე აკონტროლებენ დარგებს, ბაზრებსა და ეკონომიკას მაქს. მოგების მიღების მიზნით. კაპიტალ. წარმოების განვითარების იმ საფეხურის ანალიზი, რ-ისთვისაც დამახასიათებელი იყო თავისუფალი კონკურენციის ბატონობა, მოცემულია კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში, ხოლო მონოპ. კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის ყოველმხრივი და დეტალური ანალიზი — ვ. ი. ლენინის ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". მასში ნაჩვენებია, რომ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში თავისუფალმა კონკურენციამ ადგილი დაუთმო ყოველისშემძლე მონოპოლიების ბატონობას, რაც იმპერიალიზმს მოასწავებს. ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნები. ერთ-ერთი მათგანია: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, რ-იც განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს აღწევს, რომ ქმნის მონოპოლიებს, რ-ებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში.

არსებობს სხვადასხვა მონოპ. გაერთიანება, რ-თა ერთ-ერთი ფორმაა დროებითი შეთანხმება ფასზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანების მონაწილენი ვალდებულებას იღებენ გარკვეულ პერიოდში საქონელი ერთნაირ ფასში გაყიდონ. ამ სახეობის გაერთიანებებს პულსს, რინგს, კორნერს უწოდებენ. იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი უფრო განვითარებული მონოპ. გაერთიანებებია კარტელი, სინდიკატი, ტრესტი და კონცერნი.

კ ა რ ტ ე ლ ი ს მონაწილეებიც უთანხმდებიან ერთმანეთს გასაყიდი საქონლის ფასზე, გასაღების ბაზრების განაწილებაზე. თითოეული კაპიტალისტის წილზე მოცემული სახის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის საერთო მოცულობაში და ა. შ. ჰ. მ-ში შემავალი საწარმოები არ კარგავენ წარმოებითს და კომერც. დამოკიდებულებას. ს ი ნ დ ი კ ა ტ ი ს მონაწილენი აყალიბებენ ერთიან სავაჭრო კანტორას. კარტელისაგან განსხვავებით, სინდიკატში შემავალი საწარმოები კარგავენ კომერც. დამოუკიდებლობას, რადგან საქონლის გასაღებას, ზოგჯერ ნედლეულის შესყიდვასაც, საერთო სავაჭრო კანტორა ახორციელებს.

ტ რ ე ს ტ ში გაერთ. საწარმოები მთლიანად კარგავენ ეკონ. დამოუკიდებლობას, ხოლო მათი მფლობელები ხდებიან მეპაიეები, აქციონერები. მოგება მათ შორის ნაწილდება საკუთრების წილის მიხედვით. ტრესტის მთელ საქმიანობას ტრესტის გამგეობა განაგებს.

კ ო ნ ც ე რ ნ ი მონოპ. გაერთიანების უფრო რთული ფორმაა. მასში მონაწილეობს სამრეწვ., სავაჭრო, საბანკო, სატრანსპ., სადაზღვევო კაპიტალი. კონცერნის შემადგენლობაში შედის როგორც სამრეწვ. საწარმოები და ბანკები, ისე უმსხვილესი სააქციო კომპანიები, ტრესტები. კონცერნში გაერთ. საწარმოები დამოუკიდებელია. ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მხოლოდ საერთო ფინანს. დამოკიდებულებით, ისინი მეთაურ კომპანიას ემორჩილებიან.

ჰ. მ-ის განვითარება დაკავშირებულია ბანკების ახალ როლთან და ე. წ. „მონაწილეობის სისტემასთან". თავდაპირველად ბანკები კაპიტალისტებს შორის ფულად ურთიერთობაში უმთავრესად შუამავლის როლს ასრულებდნენ. შემდგომ, კაპიტალიზმის განვითარების შესაბამისად, ბანკების საქმიანობის სფეროც გაფართოვდა. საბანკო საქმის განვითარებასა და დაწესებულებათა მცირე რიცხვში მის კონცენტრაციასთან ერთად ბანკები უბრალო შუამავლიდან ყოველისშემძლე მონოპ. ორგანიზაციებად გადაიქცა. ბანკების გაერთიანებებმა მიიღო საბანკო მონოპოლიების სახე. საბანკო კაპიტალი თანდათან შეეზარდა სამრეწვ. კაპიტალს, შეიქმნა ფინანს. კაპიტალი და ფინანს. ოლიგარქია.

ჰ. მ-ის ზრდა დაკავშირებულია წარმოების კომბინირებასთან, რ-საც ბიძგი მისცა 1920—30-იან წლებში ნახშირის, ნავთობის, მერქნის ნედლეულის ბაზაზე ქიმ. წარმოების ახ. სახეობის შექმნამ. II მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით აშშ-ში განვითარდა მონოპ. გაერთიანებების ახ. სახეობა — კონგლომერატი, რ-შიც შედის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წარმოებები, რ-თაც არა აქვთ ერთმანეთთან საწარმოო და ტექნოლ. კავშირი, მაგრამ ერთიანი მართვითა და ფინანს. კონტროლით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

კონგლომერატების შექმნის პროცესი ლიტ-რაში ცნობილია დივერსიფიკაციის სახელწოდებით.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია ამჟამად უდიდეს მასშტაბებს აღწევს. დღითიდღე იზრდება საწარმოების, ფირმებისა და კომპანიების შთანთქმისა და შეერთების პროცესი. ამის შედეგად ეკონომიკის გადამწყვეტ დარგებში ბატონობს სულ რამდენიმე ფირმა, რ-ებიც პროდუქციის უდიდეს ნაწილს ამზადებს. თანამედროვე პირობებში მთავარი კაპიტალ. ქვეყნების უმსხვილეს კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნება აშშ-ში—„ჯენერალ მოტორზი", ინგლისში — „იუნილეივერი", საფრანგეთში — „რენო", გფრ-ში — „ფოლკსვაგენვერკი", იტალიაში — „ფიატი".

კაპიტალისტური საკუთრება, იხ. *კერძო საკუთრება, სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი.*

კაპიტალისტური ციკლი, კაპიტალისტური წარმოების განმეორებადი მოძრაობა (ბრუნვა) ერთი ეკონომიკური კრიზისიდან მეორემდე. მოიცავს 4 ძირითად ფაზას: 1. კრიზისი, 2. დეპრესია, 3. გაცხოველება, 4. აღმავლობა. თითოეული ფაზის, განვითარების პროცესში ყალიბდება მომდევნო ფაზაზე გადასვლის პირობები. საზ. კაპიტალის კვლავწარმოების ციკლური მსვლელობა განპირობებულია კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობით. ჰ. ც-ის განმსაზღვრელია ჭარბწარმოების ციკლური ფაზა — კრიზისი, რ-იც ამთავრებს ციკლს. ამასთან, მისი დაცემის უმდაბლესი წერტილი ახ. ციკლის ამოსავალია. კრიზისი მუდმივად არ გრძელდება, მას ცვლის დეპრესია, რ-ისთვისაც დამახასიათებელია ჭარბი საქონლის რეალიზაცია, ფასების სტაბილიზაცია, წარმოების დაქვეითების შეწყვეტა, სარგებლის ნორმის დაცემა და სხვ. იქმნება პირობები მომდევნო ფაზებში — გაცხოველებასა და აღმავლობაში — გადასასვლელად. ორივე ფაზა ხასიათდება წარმოების ზრდით, მაგრამ გაცხოველების დროს წარმოების მოცულობა კრიზისამდელ დონეს უთანაბრდება, აღმავლობის პერიოდში კი წარმოების მოცულობა აღემატება წინასაკრიზისო მაქსიმუმს. აღმავლობის დამახასიათებელი ნიშნებია: წარმოების სწრაფი ზრდა, ფასების მატება, უმუშევრობის დონის შემცირება, ხელფასის ზრდა, საკრედიტო ექსპანსია და სხვ. გაცხოველებისა და აღმავლობის ფაზებში ძლიერდება კაპიტალ. გაფართოებული კვლავწარმოებისათვის დამახასიათებელი დისპროპორციები, ყალიბდება ჭარბწარმოების ახ. კრიზისის წანამძღვრები. ციკლური კრიზისის მატერ. საფუძველია *ძირითადი კაპიტალის* განახლება. II მსოფლიო ომის შემდეგ ჰ. ც-ს ახასიათებს გაცხოველებისა და აღმავლობის ფაზების უფრო ინტენსიურობა, ხოლო კრიზისული დაქვეითების შედარებით ნაკლები სიღრმისეულობა. იმპერიალ. ქვეყნების განვითარების ციკლური ხასიათი მოწმობს კაპიტალ. წარმოების წესის ისტ. შეზღუდულობას და მისი ლიკვიდაციის გარდაუკალობას.

ჯ. კახნიაშვილი.

კაპიტალისტური წარმოების ორადი ხასიათი, განპირობებულია კაპიტალისტური წარმოების პროცესის სპეციფიკურობით. წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ყიდვის დროს კაპიტალისტი ორ მიზანს ისახავს: მას სურს აწარმოოს ისეთი *სახმარი ღირებულება*, რ-იც ღირებულების მატარებელი იქნება და რ-ის ღირებულება გადააჭარბებს დახარჯული წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ღირებულებას, ე. ი. აინტერესებს *ზედმეტი ღირებულების* მიღება. მაშასადამე, კაპიტალ. წარმოების პროცესი სახმარი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესის ერთიანობაა, რ-შიც სახმარი ღირებულების წარმოება დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. ცალკეული კაპიტალისტისათვის მნიშვნელობა არა აქვს რას აწარმოებს — ნაკთობს თუ სუნამოს, ყუმბარას თუ შამპანურს. მას საქონლის სახმარი ღირებულება იმდენად აინტერესებს, რამდენადაც იგი ღირებუ-

ლების მატერ. მატარებელია და ზედმეტი ღირებულების მიღების შესაძლებლობას აძლევს. ეს უკანასკნელი კი იქმნება სპეციფ. საქონლის — სამუშაო ძალის — მოხმარების პროცესში. *ჯ. კახნიაშვილი.*

კაპიტალის ცენტრალიზაცია, კაპიტალის სიდიდის ზრდა ინდივიდუალური კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე, რაც წვრილ საწარმოთა, კაპიტალისტთა გაჩანაგებისა და მათი ქონების იძულებითი მიერთების ან კიდევ რამდენიმე კაპიტალისტის ნებაყოფლობითი გაერთიანების (იხ. *საკუთრ. საზოგადოება*) გზით მიმდინარეობს. აღნიშნული პროცესი გულისხმობს კაპიტალისტთა კლასის წარმომადგენლებს შორის უკვე არსებული კაპიტალის გადანაწილებას, კაპიტალის კონცენტრაცია კი — კაპიტალის სიდიდის ზრდას მოცემულ საწარმოებში მიღებული ზედმეტი ღირებულების დაგროვების ბაზაზე. კ. ც-ის პროცესის დამაჩქარებელი ფაქტორია კაპიტალ. კრედიტის განვითარება. კ. ც-ის შედეგად მთელი საზ. სიმდიდრე თავს იყრის მცირერიცხოვანი უმსხვილესი მონოპოლიებისა და მათი წარმომადგენელი კაპიტალისტი მაგნატების ხელში. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბურჟ. სახელმწიფოც.

კ. ც. ამაღლებს საწარმოთა განსაზოგადოების დონეს, რაც უფრო ამწვავებს და ააშკარავებს კაპიტალ. საზ-ბის სოც. კონტრასტებსა და კლასობრივ ანტაგონიზმს (იხ. აგრეთვე *კაპიტალის დაგროვება*).

რ. ქუტიძე.

კაპიტალის წრებრუნვა და ბრუნვა, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში თვითზრდადი ღირებულების მოძრაობა, რ-ის მსვლელობაში კაპიტალი სამ ფუნქციურ ფორმას ღებულობს (ფულადი, საწარმოო და სასაქონლო) და სამ სტადიას გაივლის. ამ პროცესის დამთავრების შემდეგ კაპიტალი უბრუნდება თავის თავდაპირველ ფორმას. სამრეწვ. კაპიტალის მოძრაობის პირველი სტადიაა ფულადი კაპიტალის გარდაქმნა საწარმოო კაპიტალად ანუ საქონლის (ს) — *წარმოების საშუალებებისა* (წს) და *სამუშაო ძალის* (სძ) — შეძენა. ეს პროცესი გამოიხატება ფორმულით: ფ-ს^{სძ}/_{წს} — . კაპიტალი პირველ სტადიას გაივლის მიმოქცევის სფეროში. ამ აქტის შესრულების შემდეგ კაპიტალისტი იმავე სიდიდის კაპიტალს ფლობს, მაგრამ უკვე საწარმოო კაპიტალის ფორმით, რ-ის ძირითადი ფუნქციაა ზედმეტი ღირებულების მიღების მიზნით დაქირავებული მუშაკების ექსპლუატაცია. წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის შეერთების შედეგად იწყება წარმოება, ე. ი. კაპიტალის წრებრუნვის მეორე სტადია, რ-იც მიმდინარეობს წარმოების პროცესში და გულისხმობს საწარმოო კაპიტალის გარდაქმნას სასაქონლო კაპიტალად. იგი ხასიათდება კაპიტალის ღირებულების ზრდით. კაპიტალის მოძრაობის ეს სტადია გამოისახება ფორმულით: ს^{სძ}/_{წს} ... წ...ს'. კაპიტალის მოძრაობა აქ არ ჩერდება. უნდა გასაღდეს წარმოებული საქონელი, რ-შიც წარმოების საშუალებები მუდმივი კაპიტალის, ხოლო სამუშაო ძალა — ცვალებადი კაპიტალის მატარებელია. კაპიტალის წრებრუნვის მესამე სტადია მიმდინარეობს მიმოქცევის სფეროში და გულისხმობს სასაქონლო კაპიტალის გარდაქმნას ფულად კაპიტალად. იგი გამოისახება ფორმულით ს'.—ფ'. სასაქონლო კაპიტალის, რ-იც ზედმეტ ღირებულებას შეიცავს, ფუნქციაა წარმოებული ღირებულების გარდაქმნა ფულად ფორმად. თითოეული ინდივიდ. კაპიტალი მოცემულ მომენტში ერთდროულად იმყოფება თავის სამ განსხვავებულ ფორმასა და სტადიაში. კ. მარქსის თქმით, კაპიტალი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც მოძრაობა და არა როგორც უძრაობაში მყოფი ნივთი. კაპიტალის წრებრუნვის განუწყვეტლობა განპირობებულია კაპიტალის კვლავწარმოების პირობებით. ფულადი კაპიტალი, რ-იც სამრეწვ. კაპიტალის ამოსავალი ფორმაა, წრებრუნვას ახორციელებს შემდეგი ფორმულით: ფ—ს^{წს}/_{სძ} .... წ ... ს'-ფ'. ფულადი კაპიტალის წრებრუნვის განუწყვეტ ლობა ზედმეტი ღირებულების წარმოების განუწყვეტლობის აუცილებელი პირობაა. კაპიტალის წრებრუნვაში მთავარია რეალიზაციის პროცესი. თუ წარმოებული საქონელი არ აკმაყოფილებს საზ. მოთხოვნილებებს, მაშინ კაპიტალის წრებრუნვა შეიძლება შეწყდეს მის პირველ სტადიაზე. კაპიტალის წრებრუნვის განუწყვეტელობა ციკლური ხასიათისაა (იხ. *ეკონომიკური კრიზისი*).

კაპიტალის წრებრუნვის განუწყვეტელი გამეორება წარმოშობს კაპიტალის ბრუნვას. იგი ეწოდება კაპიტალის წრებრუნვას, რ-იც წარმოადგენს მთელი ავანსირებული კაპიტალის მოძრაობის პერიოდულად განახლებად და განმეორებად პროცესს. ამ უკანასკნელის ხანგრძლივობა განსაზღვრავს კაპიტალის ბრუნვის დროის სიდიდეს, რ-იც შედგება წარმოებისა და მიმოქცევის დროის ჯამისაგან. კაპიტალის ბრუნვის სიჩქარის გაზომვის ერთეულად მიღებულია ერთი წელი. კაპიტალის სხვადასხვა ელემენტის (იხ. *ძირითადი კაპიტალი, ამორტიზაცია, საბრუნავი კაპიტალი*) ბრუნვის დრო განსხვავებულია. რაც უფრო სწრაფად ბრუნავს კაპიტალი, მით უფრო მეტ ზედმეტ ღირებულებას (m'—100%) მიითვისებს კაპიტალისტი, ამიტომ კაპიტალის ბრუნვის განმსაზღვრელი ფაქტორები არსებით გავლენას ახდენს ზედმეტი ღირებულების წარმოებასა და რეალიზაციაზე. მიმოქცევის დროის შემოკლება ამცირებს სასაქონლო და ფულადი კაპიტალის წილს და ზრდის საწარმოო კაპიტალის ხვედრით წონას, შესაბამისად იზრდება ზედმეტი ღირებულების წარმოების სიდიდეც. ამავე მიმართულებით მოქმედებს სამუშაო პერიოდის შემცირებაც. კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე გავლენას ახდენს ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმაზეც, რაც გულისხმობს წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასის შეფარდებას ავანსირებულ ცვალებად კაპიტალთან. *ჯ. კახნიაშვილი.*

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების საკავშირო ბანკი, იხ. *მშენ. ბანკი.*

კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიკური ეფექტურობა, საბჭ. ეკონომიკის დინამიკური და პროპორციული განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. კაპიტალ. დაბანდებათა მოცულობა პირდაპირ არის დამოკიდებული ეროვნ. შემოსავლის სიდიდესა და მისი დაგროვების ნაწილის ხვედრით წონაზე. კაპიტ. დაბანდებათა მოცულობის გადიდება იწვევს საწარმოო ფონდების, პროდუქციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდას, ე. ი. ეროვნ. შემოსავლის გადიდებას. სწორედ ეს განსაზღვრავს კაპიტ. დაბანდებათა საერთო ანდა აბსოლ. ეფექტურობას, რ-იც სახ. მეურნ. მასშტაბით გაიანგარიშება: $E_a = \frac{\Delta Д}{K}$, სადაც $\Delta Д$ — ეროვნ. შემოსავლის ფიზ. მოცულობის ნამატია, K კი — ძირითადი და საბრუნავი ფონდების გადიდებისათვის გამიზნული კაპიტ. დაბანდებათა მოცულობა.

კაპიტ. მშენებლობის დაპროექტებისა და დაგეგმვის დროს საუკეთესო ვარიანტის შესარჩევად და დასასაბუთებლად იყენებენ კაპიტ. დაბანდებათა შეფარდებითი ეფექტურობის მაჩვენებელს, რ-იც გაიანგარიშება ფორმულით: $\frac{K_1-K_2}{C_2-C_1} = t$ ან $\frac{C_2-C_1}{K_1-K_2} = E$; K_1 და K_2 კაპიტ. დაბანდებათა მოცულობაა ვარიანტების მიხედვით, C_1 და C_2 — წარმოების დანახარჯები სათანადო ვარიანტების მიხედვით t — კაპიტ. დაბანდებაია ანაზღაურების დრო, ხოლო E — კაპიტ. დაბანდებათა შეფარდებითი ეფექტურობის კოეფიციენტი. თუ დამატებით კაპიტ. დაბანდებათა ანაზღაურების დრო T ტოლია ან ნაკლებია ნორმატივზე (T_n), ან ეფექტურობის კოეფიციენტია (E) ტოლი ან მეტი ნორმატივზე (E_n), მაშინ საუკეთესოა კაპიტალტევადი ვარიანტი. ასარჩევი ვარიანტების შედარება ხდება ჯაჭვური წესით, ე. ი. ჯერ შედარდება ორი ნებისმიერი ვარიანტი, ხოლო მათ შორის უფრო ეფექტური — შემდეგომ ნებისმიერს და ასე გაგრძელდება შედარება, სანამ ყველა ვარიანტი არ შეირჩევა.

პარტიის პროგრამასა და სკკპ ცენტრ. კომიტეტის დადგენილებებში მითითებულია კ. დ. ე. მ-ის ამაღლების ძირითადი გზები: საზ. წარმოებისა და, უპირველეს ყოვლისა, მრეწვ. სტრუქტურის სრულყოფა, კაპიტ. დაბანდებათა სტრუქტურის ოპტიმალიზაცია, კაპიტ. მშენებლობის ხანგრძლივობისა და მისი ღირებულების შემცირება, კაპიტ. დაბანდებათა კონცენტრაცია უმნიშვნელოვანეს და გასაშვებ ობიექტებზე, სამშენებლო ინდუსტრიალიზაცია, კაპიტ. მშენებლობის გეგმებისა და დაპროექტების ეკონ. დასაბუთების დონის ამაღლება და სხვ.

კაპიტალური დაბანდებები, *ძირითადი ფონდების* კვლავწარმოებაზე შრომის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ფულადი სახსრების დანახარჯი. კაპიტალ. ქვეყნებში კ. დ. კაპიტალის დაგროვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა. სსრკ-ში კ. დ. კაპიტ. მშენებლობის შემადგენელი ნაწილია, რ-იც მოიცავს აგრეთვე საპროექტო-საძიებო სამუშაოებს და საპროექტო-საძიებო ორგანიზაციების განვითარებას, სამშენებლო წარმოებას და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა ზრდას.

სსრკ-ში კ. დ. ხორციელდება ეროვნ. შემოსავლის დაგროვების ფონდისა და ძირითადი ფონდების საამორტიზაციო ანარიცხების ნაწილის ხარჯზე. იგი იგეგმება და აღირიცხება სახარჯთაღრიცხვო ფასებში სახ. მეურნ. გეგმებში კ. დ-ის მოცულობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ დაფინანსების ყველა წყაროს: სახელმწიფო და კოოპ. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, კოლ-ბების, მოსახლეობის (საკუთარი საცხოვრ. სახლებისა და ბინების მშენებლობა), სახელმწ. ბიუჯეტისა და კრედიტის სახსრებს. კ. დ-ის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა წარმოების განვითარების ფონდი, სოც.-კულტ. ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

სსრკ-ში კ. დ-ის დაგეგმვის საფუძვლად მიღებულია დარგობრივი პრინციპი დარგობრივ და ტერიტ. დაგეგმვასთან შეხამებით. მთელი კ. დ-ის 1/3-ზე მეტი ხმარდება მრეწვ. განვითარებას, პირველ რიგში კი იმ დარგებს, რ-ებიც უზრუნველყოფს ტექ. პროგრესსა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას (მაგ., ენერგეტიკაში, მანქანათმშენებლობაში და სხვ.). სოფ. მეურნ. კ. დ-ის დაახლ. 1/4-მდე იხარჯება საბინაო მშენებლობაზე,

განათლების, მეცნ., კულტურისა და ხელოვნ. განვითარებაზე.

საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების გაფართოებული კვლავწარმოებისას მიმდინარეობს ახ. საწარმოების მშენებლობა, მოქმედის რეკონსტრუქცია, გაფართოება და მათი ტექ. კვლავმოწყობა. რეკონსტრუქციისა და მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და ტექ. კვლამოწყობის წილი თანდათანობით იზრდება. მან მთელი კ. დ-ის მიმართ შეადგინა: 1960წ.— 55%, 1970 წ.—58%, 1975 დაახლ. 60%. თანამედროვე ეტაპზე უპირველესი ამოცანაა კ. დ-ის ეფექტურობის ამაღლება.

საქ. სსრ-ში საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე კ. დ-ის ეკონ. ეფექტურობის ამაღლებას თან ახლავს მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და ინვენტარის წილის ზრდა (1946—50 წლებში — 34%, 1966—70 წლებში — 41%).

კ. დ-ის გეგმის დასაბუთებისათვის იყენებენ სახ. მეურნ. დარგების განვითარების, საწარმოო ძალების განლაგების სქემებს, მატერ. რესურსების ბალანსებს და სხვ. კ. დ-ის ძირითად მაჩვენებელთა შემუშავებასთან ერთად ხდება მათი ეფექტურობის გაანგარიშება.

კაპიტალური მშენებლობა, იხ. *მშენებლობა.*

კაპიტანი (გვიანდ. ლათ. capitaneus — მხედართუფროსი < ლათ. caput — თავი), ოფიცრის წოდება (ჩინი) მეტწილ სახელმწიფოთა არმიებში. პირველად საფრანგეთში შემოიღეს. 1558-იდან კ-ს უწოდებდნენ ასეულის მეთაურს, უმაღლეს უფროსს— გენერალ-კ-ს. რუსეთში კ-ის წოდება XVI ს-ში გაჩნდა და მას უცხოელ ოფიცრებს ანიჭებდნენ, XVII ს-იდან კი რუს. მთელ რეგულარულ არმიაში შემოიღეს. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში 1935 დაწესეს სამხ. წოდებები: კ. (სახმელეთო ჯარებში და სამხ.-საჰაერო ძალებში), 1-ლი რანგის, მე-2 რანგისა და მე-3 რანგის კ. და კ.-ლეიტენანტი (სამხ.-საზღვ. ფლოტში).

კაპიტელი (გვიანდ. ლათ. capitellum— თავი), ს ვ ე ტ ი ს თ ა ვ ი. ვერტიკალური საყრდენის (ბოძის ან სვეტის) დამაგვირგვინებელი ნაწილი, რ-იც პლასტიკურად არის გამოყოფილი. კ. საყრდენს გადასცემს არქიტრავისა და მის ზემოთ მდებარე ნაწილების დატვირთვას. კ. ცნობილია უძველესი დროიდან. მას ჯერ კიდევ ძვ. აღმოსავლეთის ნაგებობებში იყენებდნენ. ანტიკ. ეპოქაში ჩამოყალიბდა კ-ის სამი ძირითადი ტიპი: დორიული, იონიური და კორინთული, ორი უკანასკნელის შეხამებას წარმოადგენს კომპოზიტური კ.; კ-ის თავისებური ტიპები ცნობილია ჩინურ, იაპონურ, მექსიკურ, ბიზანტიურ, რომანულ, ძვ. რუს., ქართ., სომხ., შუა აზიის სახელმწიფოთა და სხვ. არქიტექტურაში.

კაპიტოლიუმი (ლათ. Capitolium < caput — თავი), ერთ-ერთი იმ შვიდი ბორცვიდან („შვიდმთიანეთიდან"), რ-ებზეც გაშენდა ძველი რომი.

კაპიტონოვი ივანე ვასილის ძე [დ. 10 (23). II. 1915, სოფ. სეროვსკოე, ახლანდ. სასოფლო რ-ნი, რიაზანის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სოციალ. შრომის გმირი (1975). სკკპ წევრი 1939-იდან. 1938 დაამთავრა მოსკ. კომუნ. მშენებლობის საინჟინრო ინ-ტი. 1938—40 საბჭ. არმიაში, 1940—41— სამეურნეო სამუშაოზე. 1941-იდან ხელმძღვანელ პარტ. და საბჭ. სამუშაოზე იყო— ჯერ პირველადი ორგანიზაციის, შემდეგ პარტიის მოსკ. კრასნაია-პრესნის რაიკომის მდივნად. 1947 აირჩიეს იმავე რ-ნის აღმასკომის თავ-რედ. 1948-იდან იყო რკპ(ბ) მოსკ. საქალაქო კომიტეტის განყ-ბის გამგე, 1951—52 — მოსკ. საოლქო კომიტეტის მდივანი, მეორე მდივანი, 1952-იდან სკკპ მოსკ. საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; 1954-იდან სკკპ მოსკ. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1959—64 — სკკპ ივანოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; 1964—65 სკკპ ცკ-ის განყ-ბის გამგე. 1965-იდან სკკპ ცკ-ის მდივანია. პარტიის XIX—XXV ყრილობების დელეგატი. XIX, XX, XXII—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. 1956—59 და 1964—66 სკკპ ცკ-ის რსფსრ ბიუროს წევრი. სსრკ III—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

კაპიტულარები (გვიანდ. ლათ. capitularia), კაროლინგების დინასტიის ფრანკთა მეფეების კანონები და განკარგულებანი, რ-ებიც დაყოფილი იყო პატარ-პატარა თავებად (ლათ. capitula, აქედან — სახელწოდება). უძველესი კ. განეკუთვნება 827. კ. აწესრიგებდა სამხ. ბეგარას, დაპყრობილი მიწა-წყლის მართვა-გამგეობას, სამონეტო საქმეს და სხვ., აკანონებდა გლეხთა ფეოდ. დამოკიდებულებას. მნიშვნელოვანი ისტ. წყაროა „კაპიტულარი მამულების შესახებ" (დაახლ. 800) — კარლოს დიდის ინსტრუქცია სამეფო ადგილ-მამულის სამეურნეო ორგანიზაციის შესახებ.

კაპიტულაცია, მეომარი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ საომარი მოქმედების შეწყვეტა, იარაღის დაყრა და მტრისთვის ტყვედ დანებება. კ-ის პირობებს განსაზღვრავს გამარჯვებული მხარე ან ორივე მხარის სარდლობათა შეთანხმება. კ. შეიძლება მოახდინოს სახელმწ. შეიარაღებული ძალების ამა თუ იმ ნაწილმა ფრონტის რომელიმე უბანზე, ალყაშემორტყმულმა ციხესიმაგრემ და ა. შ. ომში სრული დამარცხებისას, როცა შეიარაღებული ძალები მთლიანი განადგურების საფრთხის წინაშეა, სახელმწ. მთავრობა ან მთავარსარდლობა აღიარებს სრულ დამარცხებას და აცხადებს უ ს ი ტ ყ ვ ო კ-ს; ამის შედეგად გამარჯვებულ მხარეს შეუძლია მოახდინოს დამარცხებული სახელმწიფოს ოკუპაცია და ხელში აიღოს იქ უზენაესი ძალაუფლება და სახელმწ. მმართველობა. II მსოფლიო ომში (1939—45) სრული დამარცხების გამო გერმ. უმაღლესმა სარდლობამ უსიტყვო კ-ის აქტს ხელი მოაწერა 1945 წ. 8 მაისს, ხოლო იაპ. იმპერატორის მთავრობისა და შტაბის წარმომადგენლებმა — 2 სექტემბერს.

კაპიტულაციების რეჟიმი, უცხოელთა პრივილეგიური სამართლებრივი მდგომარეობა, რ-იც შექმნილია სახელმწიფოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო შეთანხმებით. კ. რ-ის მიხედვით უცხოელი ექვემდებარება არა სახელმწიფოს იურისდიქციას, არამედ თავის კონსულს (ე. წ. საკონსულო იურისდიქციას), ადგილ. მოქალაქეებთან შედარებით მას აქვს პრივილეგიები ვაჭრობა-ნაოსნობაში, სამეურნეო საქმიანობასა და თვითმმართველობაში. კ. რ. პირველად თურქეთმა უბოძა XV ს-ში გენუის, ვენეციის, საფრ., მერე კი ინგლ. და ჰოლანდ. ვაჭრებს—გაათავისუფლა ისინი მრავალი გადასახადისაგან. კაპიტალ. სახელმწიფოებმა კ. რ. კოლონ. ექსპანსიის იარაღად გამოიყენეს და *არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით* თავს მოახვიეს დამოკიდებულ ქვეყნებს. კ. რ-ის გაუქმება დაიწყო XIX ს-ში. *ბ. ჟვანია.*

კაპიტული (გვიანდ. ლათ. capitulum), 1. კ ა თ ე დ რ ა ლ უ რ ი კ. — კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში კათედრალური ტაძრის სასულიერო პირთა (კანონიკთა) კოლეგია, დიოცეზის (ეპარქიის) სამართავად ეპისკოპოსთან არსებული საბჭო. ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ (ახლის არჩევამდე) დიოცეზს მართავს კ-ის მიერ არჩეული პირი. 2. კათოლ. სასულიერო-რაინდულ და მონაზვნურ ორდენში ორდენის ხელმძღვანელ პირთა კოლეგია.

კაპიშინსტრა, ხ ი მ ს ა, მთა ბზიფის ქედის აღმ. ნაწილში, მდ-ების ბზიფისა და კელასურის ზემოთის წყალგამყოფზე. სიმაღლე 3156 *მ.* აგებულია ზედაიურული პორფირიტული წყებით. აღმ. კალთა დამრეცია, დანარჩენი — ციცაბო. ფლატოვანი კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

კაპიტელი. ბაგრატის ტაძარი. XI ს. დასაწყისი.

კაპიცა პეტრე ლეონიდეს ძე [დ. 26. VI (8. VII). 1894, კრონშტადტი], საბჭ. ფიზიკოსი, აკადემიკოსი (1939), სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1957-იდან), ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1945, 1974). დაიბადა სამხ. ინჟინრის ოჯახში. პეტროგრ. პოლიტექ. ინ-ტის დამთავრების (1918) შემდეგ მუშაობდა იქვე. 1921 სამეცნ. მივლინებით წარგზავნილი იყო დიდ ბრიტანეთში, სადაც გამოკვლევებს ატარებდა ე. *რეზერფორდის* ხელმძღვანელობით. 1924—32 კევენდიშის ლაბორ. დირექტორის მოადგილეა, 1930—34—მონდის სახ. ლაბორ. დირექტორი კემბრიჯში. 1935—46 და 1955-იდან—დირექტორი სსრკ მეცნ. აკად. ფიზ. პრობლემათა ინ-ტისა, რ-იც თვითონ ჩამოაყალიბა.

ი. კაპიტონოვი.

1928 კ-მ აღმოაჩინა ძლიერ მაგნ. ველში მრავალი ლითონის ელექტრული წინაღობის წრფივი დამოკიდებულება ველის დაძაბულობაზე (კაპიცას კანონი). 1939 დაამუშავა ჰაერის გათხევადების ახ. მეთოდი (სსრკ სახელმწ. პრემია, 1941), რ-საც იყენებენ დიდი რაოდენობით თხევადი ჟანგბადის მისაღებად. 1938 აღმოაჩინა თხევადი ჰელიუმის *ზედენადობის* მოვლენა (სსრკ სახელმწ. პრემია, 1943, ნობელის პრემია, 1978).

1955-იდან „ჟურნალ ეკსპერიმენტალნოი ი ტეორეტიჩესკოი ფიზიკის" მთავარი რედაქტორი. პაგუოშის მოძრაობის საბჭ. ერთვნ. კომიტეტის, ლონდონის სამეფო საზ-ბის (1929), აშშ-ის ეროვნ. მეცნ. აკად. (1946), დან. სამეფო მეცნ. აკად. (1946), შვეციის სამეფო მეცნ. აკად. (1966), პოლონეთის მეცნ. აკად. (1963) და მრავალი სხვა აკად. და სამეცნ. საზ-ბის წევრი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Эксперимент, теория, практика, 2 изд., М., 1977.

ლიტ.: А л е к с е е в с к и й Н. Е., Петр Леонидович Капица (к 70-летию со дня рождения), «Успехи физических наук», 1964, т. 83, в. 4 (ახლავს შრომების სია).



პ. კაპიცა.

კაპლერი ალექსი იაკობის ძე [28. IX (11. X). 1904, კიევი, — 1973, მოსკოვი], საბჭ. კინოდრამატურგი, რსფსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1969). 1920 ს. ოუტკევიჩსა და გ. კოზინცევთან ერთად კიევში დააარსა თეატრი „არლეკინი". კინოში მოღვაწეობა დაიწყო 1926-იდან. კ-ის სცენარით გადაღებულია ფილმები: „სამი ამხანაგი" (1935, ტ. ზლატოგოროვასთან ერთად), „მეშახტეები" (1937), „ლენინი ოქტომბერში" (1937), „ლენინი 1918 წელს" (1939, ტ. ზლატოგოროვასთან ერთად), „ის იცავს სამშობლოს", „კოტოვსკი" (ორივე 1943), „ზოლიანი რეისი" (1961, ვ. კონეცკისთან ერთად), „ადამიანი-ამფიბია" (1962, ა. ბელიაევის რომანის მიხედვით, სსრკ სახელმწ. პრემია, 1941). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Ю р е н е в Р., Алексей Каплер, [М.], 1940.

კაპნისთავი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (აჭარისწყლის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 360 *მ,* ხელვაჩაურიდან 16 *კმ,* ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ.* აჭარისწყლის პარიზის კომუნის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). 2 დაწყ. სკოლა.

კაპნისტი ვასილი ვასილის ძე [12 (23). II. 1757 ან 1758, სოფ. დიდი ობუხოვკა, ახლანდ. მირგოროდის რ-ნი, პოლტავის ოლქი, —28. X (9. XI). 1823, სოფ. კიბ-

ინცი, იქვე], რუსი პოეტი და დრამატურგი. 1780 ლექსად დაწერილ „პირველ სატირაში" კ. კიცხავდა თავად-აზნაურებს, თანაუგრძნობდა ყმა გლეხებს („ოდა მონობაზე", 1783). სატირულ კომედიაში „ცილისმწამებელი" (1793—98) მწარედ დასცინა მაშინდელ სასამართლოს. 1806 გამოვიდა კ-ის „ლირიკული თხზულებები".

კაპროლაქტამი, მდ. *ბზიფის* ისტ. სახელწოდება.



კაპროლაქტამი.

კაპოვის მღვიმე, შულგან-თაში, გამოქვაბული სამხრ. ურალზე, მდ. ბელაიის მარჯვ. ნაპირას (ბაშკ. ასსრ). 1959 აქ აღმოჩნდა (ა. რიუმინი) პალეოლითის ხანის მხატვრობა, რ-იც შეისწავლეს 1960—71 (ო. ბადერი). ნაპოვნია მამონტების, ცხენების, მარტორქების წითელად შეღებული გამოსახულებანი, რ-თა სიგრძე 44-იდან 112 *სმ* აღწევს. გვხვდება ცხოველთა კონტურიანი ფიგურებიც. კ. 8-ში აღმოჩნდა აგრეთვე წითელი საღებავით შესრულებული გეომ. სტილის გამოსახულებანი (კიბეები, სამკუთხედები, ანთროპომორფული ფიგურები და სხვ.).

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 417.

კაპონირი (<ფრანგ. caponniére), თავდაცვითი ნაგებობა, რ-იც განკუთვნილია 2 ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ფლანგური და მიზანში აღმაცერა ცეცხლის დაშენისათვის. აგებენ საველე პოზიციებისა და გამაგრებული რ-ნების სისტემაში პირიქითა ფერდობზე ან ადგილ. საგნების უკან.



კაპუტა: მცენარის ქვედა ნაწილი; 2—თავთავი; 3—თავთუნი.

კაპორეტოს ბრძოლა 1917, ბრძოლა ავსტრია-გერმანიის ჯარებსა (გერმ. მე-14 არმია, ავსტრ.-უნგრ. მე-10 და მე-2 არმიების მხარდაჭერით) და იტალიის მე-2 და მე-3 არმიებს შორის 1917 წ. 24 ოქტ.—9 ნოემბ. კაპორეტოსთან (დასახლ. პუნქტი ჩრდ. იტალიაში მდ. ოზონცოს ნაპირზე) I მსოფლიო ომის (1914—18) დროს. ავსტრია-გერმ. ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს იტალ. არმიები. იტალიელებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს 130 ათ. კაცზე მეტი (355 ათ. ტყვედ ჩავარდა), 3152 ქვემეხი, 1732 ნაღმსატყორცნი, 14 ათ. *კმ*² ტერიტორია და სხვ. ავსტრია-გერმ. შეტევას იტალ. ფრონტზე, მიუხედავად წარმატებისა, არ შეუცვლია ანტანტის საერთო სტრატეგიული მდგომარეობა.

კაპოუტი (Capote) ტრუმენ (დ. 30. IX. 1924, ახ. ორლეანი, ლუიზიანის შტ.), ამერიკელი მწერალი. მისი შემოქმედების ძირითადი მოტივებია ადამიანის მარტოობა, გაუცხოება, სულიერი კონტაქტების ამაო ძიება. კ-ის ე. წ. მოკლე რომანებიდან ცნობილია „სხვა ხმები, სხვა ოთახები" (1948), „ბალახის ჩანგი" (1951), „საუზმე ტიფენისთან" (1958) და სხვ. რეპორტაჟის ხასიათის დოკუმენტურ წიგნში „გულგრილად" (1965) საფუძვლიანადაა გაანალიზებული დანაშაულისა და სასჯელის მორალური და სოც. პრობლემა. აღსანიშნავია აგრეთვე კ-ის სიურრეალისტური ელფერის მოთხრობათა კრებ. „ღამის ხე" (1949). კ-ის ნაწარმოებებისათვის ნიშანდობლივია ტრაგიზმისა და სევდიანი ლირიზმის შერწყმა.

კაპოშვარი (Kaposvár), ქალაქი სამხრ.-დას. უნგრეთში, ბალატონის ტბის სამხრ.-ით. შომოდის მედიეს ადმ. ცენტრი. 69 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. მსუბუქი (ბამბასართავი და სამკერვალო ფ-კები) და კვების (საფქვავი, შაქრის, ხორცის, რძის, ყველისა და სხვ. საწარმოები) მრეწველობა. ელექტროტექ. ნაკეთობათა (ტრანსფორმატორები, კაბელი და სხვ.) და ხელსაწყოების, პარკეტის, ცემენტის წარმოება.



ტყვიამფრქვეველის კაპონირი.

კაპრა (Capra) ფრენკ (დ. 18. V. 1897, პალერმო), ამერიკელი კინორეჟისორი. 1921-დან მუშაობს კინოში. 1926—27 მოღვაწეობდა როგორც რეჟისორი. 30-იან წლებში ამერ. კინოს წამყვანი მოღვაწე გახდა. დადგა ფილმები: „ლედი ერთი დღით" (1933), „ეს მოხდა ერთხელ ღამით" (1934), „მისტერ დიდსი გადადის ქალაქში" (1936), „მისტერ სმითი მიემგზავრება ვაშინგტონში" (1939) და სხვ.

კაპარალი (ფრანგ. caporal), უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდება უცხოეთის სხვადასხვა არმიაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.). რუს. არმიაში კ-ის წოდება გვხვდება 1647-იდან, ოფიციალურად კი პეტრე I-ის „სამხედრო წესდებით" შემოიღეს. XIX ს. I ნახევარში კ-ის წოდება უნტერ-ოფიცერმა შეცვალა.

კაპარაშიანი, სოფელი კასპის რ-ნში (ახალქალაქის სოფსაბჭო), თემმის ხეობაში. ზ. დ. 640 *მ*, კასპიდან 19 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. თემმის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ახალქალაქში (0,5 *კმ*).

კაპრეშუმი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (ჩაისუბნის სოფსაბჭო), მდ. ყოროლისწყლის ნაპირებზე. ზ. დ. 280 *მ*, ხელვაჩაურიდან 16 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. ჩაისუბნის ე. ტელმანის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). აგროქიმიური ლაბორატორია, ციტრუსების შემფუთავი პუნქტი. რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., კაუშირგაბმ. განყ-ბა.

კაპრივი (Caprivi) ლეო ფონ (24. II. 1831, შარლოტენბურგი, — 6. II. 1899, სკირენი, პოლონეთი), გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, გრაფი (1891). 1890—94 რაიხსკანცლერი (შეცვალა *ბისმარკი*) და ამავე დროს (1890—92) პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი. მისი კანცლერობის პერიოდს „ახალი კურსი" ეწოდა. კ. შეეცადა დიდ ბრიტანეთთან დაახლოებას, 1890 უარი თქვა რუსეთთან „გადაზღვევის ხელშეკრულების" განახლებაზე. დიდ ბრიტანეთთან დადო ხელშეკრულება კ. ზანზიბარის კ. ჰელგოლანდში გაცვლის შესახებ (1890). ზოგიერთი რეფორმით შეეცადა მუშათა მოძრაობის შესუსტებას (მაგ., სოც. კანონმდებლობა 1891 და სხვ.); დადო სავაჭრო ხელშეკრულებები, რ-ებმაც გააადვილეს გერმ. სამრეწვ. საქონლის გატანა, შეამცირა ბაჟები შემოტანილ სას.-სამ. პროდუქტებზე. ამან გამოიწვია *იუნკრობის* უკმაყოფილება და კ-ს გადადგომა.

კაპრისი, იხ. *კაპრიჩო*.

კაპრის სკოლა, ანტიპარტიული სკოლა, რ-იც დააარსეს კ. კაპრიზე (იტალია) ბოლშევიკური პარტიის საქმიანობისაგან ჩამოშორებულმა მოღვაწეებმა (ოტზოვისტები, ულტიმატისტები, ღვთისმშენებლები). მუშაობდა 1909 აგვ.-დეკ-ში. „პროლეტარის" გაფართოებული რედაქციის თათბირმა, რ-იც 1909 ივნ. შედგა ლენინის ხელმძღვანელობით პარიზში, გააკრიტიკა კ. ს. და აღნიშნა, რომ მისი ინიციატორები ისახავდნენ „...თავის, ჯგუფურ, იდეურ, პოლიტიკურ მიზნებს" („სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში", გამოც. მე-7, ნაწ. I, 1954, გვ. 283). სკოლამ 4 თვე იარსება. 1909 დეკ-ში კ. ს-ის ზოგიერთმა ლექტორმა (ა. ბოგდანოვი, გ. ალექსინსკი და სხვ.), აგრეთვე მსმენელთა ნაწილმა ჩამოაყალიბა ანტიბოლშევიკური ჯგუფი „ვპერიოდი".

კაპრიჩო, კაპრიჩიო (იტალ. capriccio, სიტყვასიტყვით — ჭირვეულობა, ჟინიანობა), კაპრისი (ფრანგ. caprice), ცვალებადი ხასიათისა და თავისუფალი ფორმის ბრწყინვალე, ვირტუოზული საკრაკიერი პიესა. თავდაპირველად მადრიგალის ტიპის ვოკალური პიესა იყო. XVI—XVII სს-ში კი წარმოიშვა პოლიფონიური წყობის (რეჩიტატივის, კანცონის, ფანტაზიისა და ტოკატის მსგავსი) საკრავიერი კ.; საფიოლინო კ. ჰგავს ეტიუდს (ნ. პაგანინის 24 კაპრიჩო სოლო ვიოლინოსათვის, ფ. ლისტისა და რ. შუმანის მიერ დამუშავებული ფორტეპიანოსათვის), კლავირისა და საფორტეპიანო კ. — სახასიათო პიესას. XIX ს-ში შეიქმნა საორკესტრო კ. მკაფიოდ გამოხატული ეროვნ. მუს. ელფერით (ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩო", რიმსკი-კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩო" და სხვ.).

კაპროლაქტამი, *ε-ამინოკაპრონმჟავას* ლაქტამი, თეთრი კრისტალური ნივთიერება; tდნ 68—69°C, tდუღ 262,5°C; კარგად იხსნება წყალსა და ორგ. გამხსნელებში, მაგ., სპირტში, ეთერსა და ბენზოლში; მჟავებისა და ტუტეების წყალხსნარებში ჰიდროლიზით გარდაიქმნება ε-ამინოკაპრონმჟავად $H_2N(CH_2)_5COOH$. კ-ს აქვს პოლიმერიზაციის უნარი.

კ-ს იყენებენ ძირითადად პოლიამიდური პლასტმასების, აუსკებისა და ბოჭკოების (იხ. *პოლიამიდები, პოლიამიდური ბოჭკოები*) მისაღებად.

კაპრონი, პოლი-ε-კაპროამიდისაგან მიღებული *პოლიამიდური ბოჭკოს* სამამულო სავაჭრო სახელწოდება. სხვა ქვეყნებში შემდეგი სახელწოდებითაა ცნობილი: პერლონი (გდრ), სილონი (ჩეხოსლ.), ნაილონი-6, კაპროლანი (აშშ), ამილანი (იაპონია), ბოდანილი (შვეიცარია), ცელონი (დიდი ბრიტანეთი).

კაპტალი (<გერმ. Kaptalband), ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილის (ჩვეულებრივ ფერადისა) დაახლ. 1 *სმ* სიგანის ზოლი, რ-საც შესქელებული კიდე აქვს. კ-ს აკრავენ წიგნის ბლოკის ყუის კიდეებზე ფურცლების დამაგრების სიმტკიცის გასაადიდებლად; იგი გაფორმების საშუალებაცაა.

კაპტაჟი (ფრანგ. captage < ლათ. capto — ვიჭერ, ვტაცებ), საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რ-იც უზრუნველყოფს მიწისქვეშა წყლის, ნავთობისა და აირის საბადოს გახსნას, დედამიწის ზედაპირზე მათ ამოყვანასა და ექსპლუატაციას სტაბილური ოპტიმალური მაჩვენებლების (დებიტი, ქიმ. შედგენილობა, ტემპ-რა და სხვ.) შენარჩუნებით. კ. ორგვარია: აღმავალი წყაროსი და დამავალი წყაროსი.

მიწისქვეშა წყლის ამოსაყვანი თანამედროვე საკაპტაჟო ნაგებობა სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციისაა. ერთსაც და მეორესაც განსაზღვრავენ ადგილმდებარეობის ჰიდროგეოლ. პირობების თავისებურებების, წყლის შედგენილობის, ტექ. და სანიტ. მოთხოვნების მიხედვით. უმარტივესი საკაპტაჟო ნაგებობაა შახტური ჭა (ნახ. 1), რ-საც მაშინ იყენებენ, როცა წყლოვანი ჰორიზონტი ღრმა არ არის. ამავე მიზნით იყენებენ *შტოლნებს* სრკ-ში (პიატიგორსკში), საფრანგეთში (ბანიერ-დე-ლიუშონში), ალჟირში (ბენჰარუნში) და სხვ. უდაწნეო წყაროს კ. შეიძლება კამერის მეშვეობით მოხდეს (ნახ. 2). საკაპტაჟო ნაგებობის ყველაზე გავრცელებული ტიპია ჭაბურღილი, რ-ის მექანიზებული გაყვანა უზრუნველყოფს წყლოვანი ჰორიზონტებისა და ზონების გახსნას მეტად რთულ სამთო-გეოლ. პირობებში 2 *კმ*-მდე და მეტ სიღრმეზე. ასეთ ჭაბურღილებში ჩვეულებრივ ფოლადის მილებს იყენებენ, აგრესიული მიწისქვეშა წყლის ექსპლუატაციის დროს კი — ანტიკოროზიული მასალისაგან დამზადებულ მილებს. ექსპლუატაციის ხერხის მიხედვით განასხვავებენ შადრევნული, კომპრესორული, აირლიფტური და ტუმბური ჭაბურღილების კ-ს.

კ. ცივილიზაციის ადრინდ. ეპოქიდა-

ნაა ცნობილი; მან მაღალ დონეს მიაღწია ძვ. რომში (იმპ. კარაკალას თერმები, წყალსადენის ნაგებობანი), მესოპოტამიაში, ჩრდ. აფრიკაში (აკვა-ფლავიანი), შუა აზიაში, ამიერკავკასიაში (ქარიზი) და სხვ.



ნახ. 1. დაწნევითი წყაროს კაპტაჟი.

საქ. სსრ-ში ქალაქის წყალსადენის 71 წყალმიმღები ნაგებობიდან 65 გრუნტის წყლის, მდინარის ფილტრატებისა და წყაროების კ-ია; მათი ჯამური მწარმოებ-



ნახ. 2. უდაწნეო წყაროს კაპტაჟი: 1—ნახვრეტი წყლისათვის; 2—წყაროს განყოფილება; 3—მიმღები სარქველი; 4—წყალგადასაშვები; 5—საკალახე მილი; 6—საკვალთი; 7—კამერის დასათვალიერებელი და გასაწმენდი საჭრომი.

ლურობა მთელი მიწოდებული წყლის 82% შეადგენს. სსრკ ტერიტორიისათვის ეს მახასიათებელი საშუალოდ 15% არ აღემატება. *ა. ზედგინიძე.*

კაპტეინი (Kapteyn) იაკობუს კორნელის (19. I. 1851, ბარნეველდი, —18. VI. 1922, ამსტერდამი), ნიდერლანდელი ასტრონომი. დაამთავრა უტრეხტის უნ-ტი, 1875 მიიღო ფილოს. დოქტორის წოდება. 1875—78 მუშაობდა ლეიდენის ობსერვატორიაში, გრონინგენში (1878-იდან უნ-ტის პროფესორი). 1896—1900 გამოაქვეყნა სამხრ. ცის 454875 ვარსკვლავის კატალოგი. 1906 შეიმუშავა ცაზე თანაბრად განაწილებულ 206 შერჩეულ არეში ვარსკვლავთა სხვადასხვა პარამეტრის განსაზღვრის გეგმა. იკვლევდა ვარსკვლავთა მობრაობებსა და გალაქტიკის აგებულებას.

ლიტ.: Кларк А., Общедоступная история астрономии в XIX столетии, пер. с англ., Од., 1913.

კაპუა (Capua), ძვ. ქალაქი კამპანიაში, თანამედროვე კაპუის სამხრ.-აღმ-ით 4 *კმ*-ზე. დაარსეს *ეტრუსკებმა* ძვ. წ. VI ს-ში. ძვ. წ. 343 კ. მოექცა რომის გავლენის ქვეშ. *ლათინთა ომების* (ძვ. წ. 340—338) შემდეგ რომისაგან თვითმმართველობის უფლება მიიღო. ძვ. წ. I ს-ში ცნობილი იყო გლადიატორთა სკოლებით (ერთ-ერთ მათგანში გლადიატორად იყო სპარტაკი). 456 აოხრეს ვანდალებმა. VII ს. დასაწყისში ბენევენტუმში შემავალი ერთ-ერთი ლანგობარდული სამთავროს ცენტრი იყო. 840 დაანგრიეს არაბებმა. ძვ. კ-ის ადგილზე 856 აშენდა თანამედროვე ქ. სანტა მარია-კაპუა-ვეტერნე.

კაპუანა (Capuana) ლუიჯი (28. V. 1839, მინეო, კატანიის პროვინცია, სიცილია, — 29. XI. 1915, კატანია), იტალიელი მწერალი, კრიტიკოსი. ვერიზმის თეორეტიკოსი. თავისი თეორ. პრინციპები ჩამოაყალიბა მრავალ სტატიაში და წიგნში („თანამედროვე თეატრი", 1872; „ნარკვევები თანამედროვე ლიტერატურის შესახებ", 1879—82, „თანამედროვე იზმები", 1898 და სხვ.); მხატვრულ ნაწარმოებებში განუხრელად მიჰყვებოდა თავის ვერისტულ თეორიებს (რომანები „ჯაჩინტა", 1879; „სურნელება", 1890; „სფინქსი", 1897; „მარკიზ როკავერდინა", 1901; მოთხრობებისა და ნოველების კრებულები). კ. ცდილობდა დაემკვიდრებინა ვერისტული დრამაც. პიესებს წერდა სიცილიურ დიალექტზე. ბოლო წლებში შექმნა საბავშვო მოთხრობები, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

კაპუასი (Kapuas), მდინარე კ. კალიმანტანის დას. ნაწილში. უდიდესი მდინარე ინდონეზიაში. სიგრძე 1040 *კმ*, აუზის ფართ. 97 ათ. *კმ*². სათავე აქვს ბოვენ-კაპუასის ქედზე. ზემოთში (165 *კმ*-მდე) მთის მდინარეა. ქვემოთ მიედინება დაჭაობებულ ვაკეზე. შესართავთან ქმნის დელტას. ერთვის სამხრ. ჩინეთის ზღვას. უხვწყლიანია მთელი წლის მანძილზე. კ. კ. კალიმანტანის შიგა რ-ნების ძირითადი სატრანსპ. არტერიაა. თევზჭერა. ხე-ტყის დაცურება.

კაპუდან-ფაშა, საზღვაო ძალების სარდლის თანამდებობა ოსმალეთის იმპერიაში. კ.-ფ. იყო აგრეთვე საზღვ. არსენალის — თერსანის — მთავარი უფროსი და განაგებდა იმპერიის საზღვ. სამფლობელოებს (არქიპელაგის კ-ები). სულთან აბდულაზიზის მმართველობის პერიოდში (1861—76) კ.-ფ-ს თანამდებობა გაუქმდა და მის ნაცვლად შემოიღეს საზღვ. მინისტრის თანამდებობა.

კაპუეტა (Agropyron), მრავალწლოვან მცენარეთა გვარი (მარცვლოვანთა ოჯახი). სსრკ-ში ცნობილია 17 სახეობა. საქართველოში 2 სახეობიდან უფრო გავრცელებულია A. pectinatum. აქვს ფუნჯა ფესვი, თავთავი ყვავილედი, უფხო ან მოკლე ფხიანი. ნაყოფი — მოგრძო მარცვალა. თავთავის ფორმის მიხედვით განასხვავებენ ვიწროთავთავიანებს და ფართოთავთავიანებს. საკმაოდ გავრცელებულია, ხარობს ველად, მშრალ მდელოებზე; ზამთარ- და გვალვაგამძლეა, იყენებენ ხელოვნური მდელოების შესაქმნელად როგორც ბალახნარევების კომპონენტს. კარგად იზრდება მსუბუქ თიხნარებზე, ქვიშიან და ქვიშნარ ნიადაგებზე. მწვანე მასა და თივა სას.-სამ. ცხოველთა საუკეთესო საკვებია. თიბავენ წელიწადში ერთხელ დათავთავების დროს, დიდ მოსავალს იძლევა მე-3—4 წელს.

გ. ყრუაშვილი.

კაპური რაჯ (დ. 14. XII. 1924, პეშავარი), ინდოელი მსახიობი, კინორეჟისორი, პროდიუსერი. მსახიობობა დაიწყო მამის, პრითვირაჯ კაპურის, თეატრში, იქვე იყო მხატვრად. 40-იან წლებიდან ილებენ კინოში. 1947 დააარსა ფირმა „რაჯ კაპურ ფილმზი" (ბომბეი). კ-ის ფილმებში „მაწანწალა" (1951), „ბატონი 420" (1955), „მე კლოუნი ვარ" (1970) დასმულია სოც. უსამართლობის საკითხი. კ. თვითმყოფი, ლირიკულ-კომიკური ხასიათის, იშვიათი მუს. ნიჭის მსახიობია.

კაპუტიკიანი სილვა (სირვარდ) ბარუნაკის ასული (დ. 5. I. 1919, ერევანი), სომეხი საბჭ. პოეტი. სომხ. სსრ კულტურის დამს. მოღვაწე (1970). სკკპ წევრი 1945-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1933-იდან. ლექსების პირველი კრებ. გამოსცა 1945. ავტორია კრებულებისა „ზანგის ნაპირზე" (1947). „ჩემი მახლობლები" (1951; სსრკ სახელმწ. პრემია, 1952), „გულახდილი საუბარი" (1955), „დაფიქრება შუა გზაში" (1960) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ორდენით.

კაპუცინები (იტალ. cappuccino < cappuccio — კაპიუშონი), კათოლიკურ-მონაზვნური ორდენი. დაარსდა იტალიაში 1525 როგორც *ფრანცისკელთა* შტო. კ. ეწოდათ იმიტომ, რომ იხურავდნენ ანაფორაზე მიკერებულ, უხეში მაუდისაგან დამზადებულ წვეტიან კაპიუშონს. ორდენის დამაარსებელი მატეო და ბაშიო ისწრაფოდა აღედგინა ადრინდ. ფრანცისკული თემების ასკეტური ხასიათი. კ-ის წესდება მოიწონა პაპმა კლიმენტი VII-მ (1528 ან 1529). როგორც დამოუკიდებელი ორდენი პაპმა პავლე V-მ დაამტკიცა (1619). XVI—XVII სს-ში ორდენი დას. ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. კ-მა დიდი როლი ითამაშეს *კონტრრეფორმაციაში*. 1972 აერთიანებდა დაახლ. 14 ათ. მონაზონს. კ-ის დედათა ორდენში (დაარსდა XVI ს.) 2,5 ათ. მონაზონი ქალია.

კაპუცინი (Cebus), მაიმუნების გვარი კაპუცინისებრთა ოჯახისა. კუდის ბოლო მესამედი მოსაჭიდებელია, რითაც ცხოველი ხის ტოტზე ეკიდება. გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში. ბინადრობს ტყეში. იკვებება ხილით, ფოთლებით, მწერებით, ფრინველის კვერცხითა და ბარტყებით. ყველაზე ცნობილია თეთრყელა კ. (C. capucinus) და მურა კ. (C. apella). ზოოპარკში კარგად მრავლდებიან.

კაპუჭელები, მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფი დაღ. ასსრ-ში. ენა— კაპუჭური (იხ. *კაპუჭურ-ჰუნზიბური ენა*). მორწმუნენი მუსლიმანი სუნიტები არიან. ყოფითა და კულტურით ავარიელებს ენათესავებიან. მისდევენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას.

კაპუჭური ენა, კაპუჭურ-ჰუნზიბური ენა, ბეჟიტური ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღ. ასსრ წუნტის რ-ნის აულებში ბეჟიტაში (ქართ. კაპუჭი), ხოშარხოტაში ანუ ხოშარხოში (ქართ. ხაშალხუტი), ტლადალში (ქართ. ქალაქი), ჰუნზიბში, ღარბუთლსა და ნაპადაში, აგრეთვე, საქ. სსრ ყვარლის რ-ნის სოფ. ჩანთისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში. კ.-ჰ. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 4500 კაცი. გაირჩევა 2 დიალექტი: კაპუჭური და ჰუნზიბური. კაპუჭურ დიალექტში გამოიყოფა სამი კილოკავი: საკუთრივ კაპუჭური, ხაშალხუტური და ტლადალური. სხვაობა მ. შ. ძირითადად ფონეტ. ხასიათისაა.

ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი ა, ე, ი, ო, უ ხმოვნის გარდა წარმოდგენილია მეორეული წარმოშობის გრძელი ნაზალური და აგრეთვე უმლაუტიზებული (კაპ.) ვარიანტები, ე. წ. ირაციონალური ხმოვანი (ъ), ვიწრო, ლაბიალიზებული ა და ღია, ა-სკენ გადახრილი ო (ѳ) (ჰუნზიბური), მახვილი სუსტი, დინამიკურია და ძირითადად მოძრავი. თანხმოვნებში დასტურდება ხშულთა სამეულების, სპირანტთა წყვილეულებისა და ცალეულების სისტემა. სპეციფ. თანხმოვნებია: ყრუ ლატერალები (ფშვინვიერი აფრიკატი და სპირანტი, მკვეთრი აფრიკატი), ქვემო ხახისმიერი მჟღერი და ფშვინვიერი სპირანტები, აგრეთვე ხორხისმიერი მკვეთრი ხშული. ფუძეებს ახასიათებს სრულხმოვანება. წყობა აგლუტინაციურია. გრამატ. კატეგორიები უმთავრესად სუფიქსებით იწარმოება. სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიებია კლასი და რიცხვი. მხ. რიცხვში არის 4 გრამატ. კლასი: ი, ჲ, ბ (>მ), რ (>ჲ — კაპ., ნ—ჰუნზიბური), მრ. რიცხვში—2: ბ (>მ) და **რ** (>ჲ; ნ.). მდიდარია მრ. რიცხვის ფორმანტებით. ძირითადი ბრუნვებია: სახ., მოთხრ., მიც., ნათ. და მოქმ. ახასიათებს

კაპუცინი: მარცხნივ—მურა კაპუცინი; მარჯვნივ—თეთრყელა კაპუცინები.

1

2

3

4

კარადრინა: 1—პეპელა; 2—მატლი; 3—ჭუპრი; 4—დაზიანებული ფოთოლი.

8. კარავაჯო.

ლოკალური (წარმოშობით თანდებულიანი) ბრუნვების სერიალია სისტემა. ბრუნება არის ერთფუძიანიც და ორფუძიანიც. ზმნაში კლასისა და რიცხვის გარდა გარჩეულია დრო, კილო, კაუზატივი, მრავალგზისობა და უნახაობა. დიფერენცირებულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. კლასნიშნით გამოხატულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის, გარდაუვალი — ნომინატიურს, ხოლო გრძნობა-აღქმის ზმნები — დატიურს. რთული ქვეწყობილი წინადადება არ მოეპოვება, მის ფუნქციას ასრულებს მარტივი წინადადება საგარემოებო და პირ-კილოს ფორმების მეშვეობით. სიტყვათა შორის სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეებია შეთანხმება, მართვა, მირთვა. მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. სიტყვაწარმოება სუსტადაა განვითარებული. თვლის სისტემა ათობითია. მრავლადაა ნასესხები სიტყვები ხუნძურიდან, ქართულიდან, რუსულიდან. არაბ.-სპარს.-თურქ. ლექსიკა უმთავრესად შესულია ხუნძურის მეშვეობით. კ.-ჰ. ე. უმწერლობოა. სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს.

ლიტ.: ლ ო მ თ ა ძ ე ე., მრავლობითის წარმოება კაპუჭურ-პუნზიბური ენის ზმნაში, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», 1953, ტ. 5; მ ი ს ი ვ ე, Анализ капучинско-гунзибского языка, იქვე, 1956, ტ. 8; Б о к а р е в Е. А., Гунзибский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967; Б о к а р е в Е. А., М а д и е в а Г. И., Бежитинский язык, იქვე; М а д и е в а Г. И., Грамматический очерк бежитинского языка, Махачкала, 1965. *ე. ლომთათძე.*

კაჟბალი, იგივეა, რაც *სილიციუმი.*

კაჟეები, ქვედა პალეოლითის (გვიანდ. აშელი და ადრინდ. მუსტიე) და ნეოლით-ენეოლითის ხანის ნაბინარ-სახელოსნო სოფ. სკინდორის ტერიტორიაზე (ჭიათურის რ-ნი). უშუალოდ კაჟის საბადოსთან (აქედან მოდის სახელწოდებაც) აღმოაჩინეს 1957. დაახლ. 1 ჰა სახნავი მიწის ზედაპირზე მოპოვებულია პალეოლითის ხანის 2000-მდე ქვის ნივთი, მ. შ. დისკოიდალური, ერთფუძიანი და ორფუძიანი, აგრეთვე კუს ჯავშნის ფორმის ნუკლეუსები, მასიური კლექტონური და ლევალუაზური ანატკეცები, ლევალუაზური და არალევალუაზური ლამელები. აგრეთვე უხეში საჩეხი იარაღი, სახოკები, დანები და წვეტანები. ანატკეცების მნიშვნელოვანი ნაწილის ზურგი დაფარულია კაჭრის კანით, ნაწილს კი ეტყობა წინამორბედი ფირფიტების ატკეცის კვალი. აშელ-მუსტიეს ხანის ქვის იარაღი და ანატკეც-ლამელები დაფარულია მოთეთრო-მონაცრისფრო და მოვარდისფრო სქელი პატინით.

ნეოლით-ენეოლითის ხანის მასალიდან აღმოჩენილია ორმხრივ დამუშავებული კაჟის ნამგლისპირები, სხვადასხვა მოყვანილობის ისრისპირები და მათი ფრაგმენტები, ორმხრივ დამუშავებული მინიატიურული საჩეხი, მჭრელი და პიკისებური იარაღი, საფხეკ-სახოკები, სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები, ანატკეც-ლამელები და სხვ. კ-ის ქვის ნაწარმისათვის ნედლ მასალად გამოყენებულია ჭიათურის რ-ნისათვის დამახასიათებელი თურონის იარუსის მონაცრისფრო და მოწითალო მაღალხარისხოკანი კაჟი. ნასახლარზე საძიებო თხრილმა კულტ. ფენების არსებობა არ დაადასტურა. როგორც ჩანს, ქვის მასალა მიწის ზედაპირზე მოხვდა ნიადაგის ლოკალური გადარეცხვისა და ფართობის ხშირი ხვნა-გადაბრუნების შედეგად. მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ.: თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ., არქეოლოგიური დაზვერვები მდ. ყვირილას ხეობაში, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1962, ტ. 23 B. *დ. თუშაბრამიშვილი.*

კაჟი, ბუნებაში ფართოდ გავრცელებული მინერალური წარმონაქმნი; შედგება კრისტალური და ამორფული კაჟმიწისაგან (*ოპალი, ქალცედონი* ან *კვარცი*). სიმაგრე მინერალოგიური სკალით 7. მონატეხი ნიჟარისებრი. კ-ის ანატკეჩებს პირველყოფილი ადამიანი იარაღად იყენებდა.

კაჟის იარაღი, კაჟის ქანისაგან დამზადებული შრომისა და საბრძოლო იარაღი. განსაკუთრებული თვისებების (სიმკვრივე, ტკეცადობის უნარი, ბასრი გვერდები, სხვა მასალასთან შედარებით პლასტიკურობა და სხვ.) გამო ადამიანი კაჟს ფართოდ იყენებდა საზ-ბის განვითარების უადრესი პერიოდიდან რკინის მეტალურგიის განვითარებამდე და ნაწილობრივ შემდგომ ხანაშიც. უძველესი ადამიანის კ. ი. თითქმის არაფრით განსხვავდებოდა კაჟის ბუნებრივი ნატეხებისაგან. შემდგომში მან ისწავლა კაჟის გულგულისაგან (ნუკლეუსისაგან) მჭრელგვერდებიანი ფირფიტების ატკეცვა, კაჭრის ან მასიური ფილისებური ნატეხის გათლა და ხელცულების დამზადება (შელისა და აშელის ეპოქებში), რეტუშის საშუალებით ანატკეცებისა და ლამელების მეორადი დამუშავება — სახოკების, წვეტანების, სახვრეტების, საფხეკების და სხვ. დამზადება. ზედა პალეოლითის ხანის მიწურულიდან ფართოდ გავრცელდა გეომ. მოყვანილობის მცირე ზომის (მიკროლითური) იარაღი (სამკუთხედები, სეგმენტები, ტრაპეციები), რ-ებიც, ძირითადად, რთული იარაღის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს (დანები, ხელშუბები, ჭვილთები და სხვ.). მწარმოებლური მეურნ. ეპოქაში (ნეოლითი, ენეოლითი, ადრინდ. ბრინჯაოს ხანა) ჩნდება კაჟის გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების ისრისპირები, ნამგლისპირები, მიწის დასამუშ. პიკისებური იარაღი და სხვ. გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში ფართოდ ვრცელდება შედგენილნაწილებიანი დაკბილული კაჟის ნამგლები. ფეოდალურ ხანაში კაჟს იყენებდნენ კეკრის კოხებისათვის. კაჟის თოფის გაჩენასთან დაკავშირებით (XVI ს.) კაჟისაგან ამზადებდნენ ოთხკუთხა თხელ ფირფიტებს. ასეთი ფირფიტების კვესები და მათი ნახევარფაბრიკატები დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი საქართვ. სხვადასხვა კუთხეში კაჟის საბადოების მიდამოებში. *დ. თუშაბრამიშვილი.*

კაჟმიწა, იგივეა, რაც *სილიციუმის ორჟანგი.*

კაჟნარი, ს ა ქ ო რ ი ა, შუა და გვიანდელი აშელის ხანის ნაბინარ-სახელოსნო სოფ. კაცხის განაპირას (ჭიათურის რ-ნი), მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს, დაახლ. 200—500 *მ* სიმაღლის პლატოზე. აღმოჩენილია 1958. 4—4,5 ჰა ფართობი თითქმის მთლიანად დაფარულია კაჟის ბუნებრივი ნატეხებითა და პირველყოფილი ადამიანის ქვის ნაკეთობებით. სახელი ეწოდა კაჟის ქვის სიუხვის გამო. მოპოვებულია 3000-მდე ნივთი: დისკოსებრი, კუბური და სხვადასხვა ტიპის ნუკლეუსები, კლექტონური და ლევალუაზური დიდი ზომის ანატკეცები, სხვადასხვა ტიპის ლამელები, აგრეთვე რეტუშირებული ანატკეც-ლამელები, მასიური, დიდი ორმხრივ-დამუშავებული ქუსლიანი და უქუსლო პატარა ხელცულები. საჩეხი იარაღი და სხვ. ქვის ნაკეთობანი დაფარულია მონაცრისფრო მძლავრი პატინით. მასალა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში.

ლიტ. იხ. სტ-თან კ ა ჟ ე ბ ი. *დ. თუშაბრამიშვილი.*

კაჟოვანი ფყალმცენარეები, იგივეა, რაც *დიატომეები.*

კარა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში (დორეთკარის სოფსაბჭო), მდ. ჭურთის ნაპირზე. ზ. დ. 1560 *მ*, ლენინგორიდან 39 *კმ*. ზახორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ლარგვისში (21 *კმ*).

კარაბალინი, ძველ საქართველოში სამკურნალო წიგნთა საერთო სახელწოდება. თავისი დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით ცნობილია სამკურნალო კ., რ-იც ძირითადად განკუთვნილი იყო პრაქტიკოსი ექიმებისათვის, საოჯახო კ.—არაექიმებისათვის და მოკლე კ.—თანამედროვე ცნობარის მსგავსი. საქართველოში დღემდე შესწავლილი და გამოცემულია ქანანელის „უსწორო კარაბადინი" (XI ს.), ხოჯაყოფილის „წიგნი საკიმოი" (XII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი—კარაბადინი" (XV ს.), დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი", ი. ბაგრატიონის „წიგნი სიმართლისა და აქიმობის", აგრეთვე პ. *კლაპიტონიშვილის* „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება ადვილად წამლობისათვის მრავალთა გვართა შინაგანთა და გარეგანთა სნეულებათა" (XIX ს.), მისივე „მოკლე კარაბადინი ანუ დარიგება მისთვის, თუ ვითარი ღონისძიება და შემწეობა მოიხმარონ კაცთათვის ჟამსა უეცრად ჩავარდნისა და სასიკეთილოსა მდგომარეობასა შინა" (XIX ს.) და სხვ. კ-ებში, ქართ. ეროვნ. მკურნალობის მეთოდების გარდა, ასახულია შესაბამისი ეპოქების ბერძნ.-რომაული, სპარს., არაბული და, ბოლოს, რუს. ეროვნ. მედიცინის მონაცემები. კ-ებში მოცემულია ზოგადი საექიმო პრინციპები, აღწერილია სხვადასხვა დაავადება, მათი მკურნალობისა და სამკურნ. საშუალებათა დახასიათება, განმარტებულია სანიტ., ფიზიოლ., ბიოლ., ფარმაკოლ., ჰიგიენური და სხვ. ცნებები.

მ. შენგელია.

კარაბაში, ქალაქი (1933-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში. სარკინიგზო ტოტის ბოლო სადგ. (პირიტი). 1910 კ-ში აიგო სპილენძსადნობი ქ-ნა, რ-ის ბაზაზე შემდეგ შეიქმნა სამთო-მეტალ. კომბინატი. კ. დაარსდა XVIII ს. დასაწყისში.

კარაბინერი (<ფრანგ. carabin, მოგვიანებით carabinier—მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი), რჩეულ მსროლელთა სახელწოდება ქვეითი ჯარსა და კავალერიაში. ესპანეთში XV ს-იდან კარაბენებს უწოდებდნენ ბასკებ სა და გასკონელებისაგან შედგენილ მსუბუქ ქვეითსა და ცხენოსან ჯარს. საფრანგეთსა (XVII ს.) და ავსტრიაში (XVIII ს.) კ-თა რაზმები და ასეულები პრივილეგირებულ სამხ. ნაწილებს შეუერთეს. რუსეთში 1763—96 წლებში სხვადასხვა დროს იყო 9-იდან 19-მდე კ-თა კავალერიის პოლკი, 1815—57 წლებში კი 4-იდან 8-მდე კ-თა ქვეითი პოლკი. იტალიაში კ-თა ჯარი (შეიქმნა 1814) ჟანდარმერიის როლს ასრულებს.

კარაბინი (ფრანგ. carabine), მოკლე და მსუბუქი შაშხანა. გამოიგონეს XV ს-ში. XVIII ს. — XX ს. I ნახევარში კ-ით შეიარაღებული იყო კავალერია და არტილერია. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ სრულყოფილი ავტომ. კ-ით შეიარაღებულია არმიათა უმეტესობა. კ-ს უწოდებენ აგრეთვე ზოგიერთ კუთხვილიან სანადირო თოფს.

კარაგეორგიევიჩები, XIX ს. სამთავრო, ხოლო 1903—18 სამეფო დინასტია სერბიაში, შემდეგ სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოსა (1918—29) და იუგოსლავიაში (1929—45, ფაქტობრივად 1941-მდე). დინასტიის დამაარსებელი იყო გეორგე კარაგეორგიევიჩი (მთავარი 1808—13), სერბიის პირველი ავჯანყების (1804—13) ხელმძღვანელი, მთავარსარდალი. კ-ის დინასტიის წარმომადგენლები არიან: ალექსანდრე (მთავარი 1842—58), პეტრე I (მეფე 1903—21), ალექსანდრე I (მეფე 1921—34), პეტრე II (მეფე 1934-იდან). ეს უკანასკნელი 1941 აპრილში ფაშისტური ჯარების მიერ იუგოსლ. ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 1943 წ. 29 ნოემბ. *იუგოსლ. სახალხო ყანთაციისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს* მე-2 სესიაზე ემიგრაციაში მყოფ პეტრე II-ს აეკრძალა იუგოსლავიაში დაბრუნება. დამფუძნებელმა კრებამ 1945 წ. 29 ნოემბ. მონარქია გაუქმებულად გაროაცხადა.

კარაგის კუნძული, კუნძული ბერინგის ზღვის კარაგის ყურეში, კამჩატკის აღმ. ნაპირთან. ფართ. 2 ათ. *კმ*². სიმაღლე 912 *მ*-მდე. ნაპირები მეტწილად კლდოვანია. კ. კ. შემოსილია ტუნდრის მცენარეულობითა და ქონდარა ფიჭვის რაყებით.

კარადრინა (Spodoptera exiqua), პეპელა *ბეტტრისებრთა* ოჯახისა. ფრთების შლილი 26—34 *მმ* აღწევს. წინა ფრთები მონაცრისფრო-მურაა, უკანა — თეთრი. მატლის ზომაა 25—26 *მმ*, ღია ან მუქი მწვანეა. კ. გავრცელებულია აფრიკაში, საშრ. აზიაში, ჩრდ. ამერიკაში; სსრკ-ში — ქვემო ვოლგისპირეთში, ამიერკავკასიაში, შუა აზიაში. ბამბის, ჭარხლის, პამიდვრის, იონჯისა და სხვ. მავნებელია. საქართველოში 3—4 თაობას იძლევა. ბრძოლის ღონისძიებანი: აგროტექ. ღონისძიებები, ნათესის დამუშავება ინსექტიციდებითა და ბიოპრეპარატებით.

კარავაევა ანა ალექსანდრეს ასული [15 (27). XII. 1893, პერმი,—22. V.1979], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1926-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1922-იდან. მისი ნაწარმოებების თემაა ახ. ურთიერთობათა დამკვიდრება სოფლად (მოთხრობა „ეზო", 1926; რომანი „ხე-ტყის ქარხანა", 1928), ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა (რომანი „ურავლინაიარიოშჩელი ლენა", 1938 და სხვ.), სამამულო ომი (ტრილოგია „სამშობლო": „სინათლეები", 1943; „გაქანება", 1948; „მშობლიური სახლი", 1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით.

კარავაჯიზმი, მხატვრულ საშუალებათა სისტემა, რ-იც XVII ს. ევროპული რეალისტური ფერწერის დასაწყისში ჩამოყალიბდა და ყველაზე მძლავრად *კარავაჯოს* შემოქმედებაში გამოვლინდა. კ-ს ახასიათებს მხატვრული იდეალის დემოკრატიულობა, ინტერესი ნატურის უშუალო გამოსახვისა და მისი რეალური საგნობრიობის ვადმოცემისადმი, კონტრასტული ჩრდილ-ნათელის აქტ. როლი, სწრაფვა ყანრული მოტივის მონუმენტალიზაციისაკენ; კ-ის ტენდენციები, რ-თაც თავისი მნიშვნელობა XVII ს. დასასრულამდე შეინარჩუნეს, გავრცელდა ფერწერის ყველა ცენტრში, განსაკუთრებით — რომში, გენუასა და ნეაპოლში. ყველაზე ორიგინ. და თვითმყოფი გარდასახვა კ-მა განიცადა მხატვრების: ო. ბორჯანის, ო. ჯენტილესკის, კ. სარაჩენის, ჯ. ბ. კარაჩოლის შემოქმედებაში. კ-ის არაიტალიელ წარმომადგენელთაგან აღსანიშნავი არიან: ჰოლანდიაში — ჰ. ტერბრიუგენი, გ. ჰონთხორსტი, დ. ვან ბაბიურენი; საფრანგეთში — ჟ. ვალანტენი, ს. ვუე; ფლანდრიაში — ტ. რომბაუტსი, ა. იანსენსი; ესპანეთში — ხ. რიბერა; გერმანიაში — ა. ელსჰაიმერი.

ლიტ.: Виппер Б. Р., Проблема реализма в итальянской живописи XVII—XVIII веков, М., 1966.

კარავაჯო (Caravaggio: მერიზი დაკარავაჯო, Merisi da Carravaggio) მიქელანჯელო (28. IX. 1573, კარავაჯო, ლომბარდია, — 18. VII. 1610, პორტო-ერკოლე, ტოსკანა), იტალიელი ფერმწერი; XVII ს. ევრ. ფერწერის რეალისტური მიმდინარეობის ფუძემდებელი. სწავლობდა მილანში (1584—88). კ-ს შემოქმედება წარმოიშვა და ჩამოყალიბდა როგორც *აკადემიზმისა* და *მანიერიზმის* ოპოზიცია. მხატვრული სახის იდეალიზაციას კ-მ დაუპირისპირა კონკრ. მოდელის ინდივიდ. გამომსახველობა („პატარა ავადმყოფი ბაკქუსი", ბორგეზეს გალერეა, რომი). აკადემიზმისა და მანიერიზმის მხატვრული კონცეფციებისადმი კრიტიკულად განწყობილი კ. ანტ. სიუჟეტში განასახიერებდა ხალხური საწყისიდან მომდინარე სადღესასწაულო განწყობილებას. კ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფერწერის ახ. სახეების — ნატურმორტის („ხილით სავსე კალათი", დაახლ. 1596, პინაკოთეკა ამბროზიანა, მილანი) და ყოფითი ჟანრის („მკითხავი", ლუვრი, პარიზი) შექმნაში. 1590-იან წწ. დასასრ. ჩამოყალიბდა კ-ს ორიგინ. ფერწერული სისტემა: მკვეთრად განათებული წინა პლანი გამოყოფილია სიბნელეში ჩაძირული ფონიდან, რითაც მხატვარი აღწევს გამოსახულების ოპტ. თვალსაჩინოებას და მაყურებელთან უშუალო სიახლოვეს („ლუტნის დამკვრელი", ერმიტაჟი, ლენინგრადი).

1599—1606 წლებში შექმნილ ნამუშევრებში ჩრდილ-ნათელის ძლიერი კონტრასტები შერწყმულია ფიგურათა ჟესტების მეტყველ უბრალოებასთან; ენერგიული პლასტ. ძერწვა და ჟღერადი მდიდარი კოლორიტი გამოხატავს ემოციურ დაძაბულობას („მათე მოციქულის მოწოდება" და „მათე მოციქულის მარტვილობა", 1599—1600, სან ლუიჯი დეი ფრანჩეზის ეკლესია; „პეტრე მოციქულის ჯვარცმა" და „სავლეს მოქცევა", 1600—01, სანტა-მარია დელ პოპოლოს ეკლესია; „მადონა დი ლორეტო", დაახლ. 1603—06, სანტ-აგოსტინოს ეკლესია — ყველა რომში).

კ-ს გვიანდ. პერიოდის (1606—10) ნამუშევრებში რეალისტური ტენდენციების განვითარებას თან ახლავს ტრაგიკული მსოფლშეგრძნების გაღრმავება („იოანე ნათლისმცემლის დასჯა", 1609, სან-ჯოვანის ტაძარი, ვალეტა). კ-ს შემოქმედებაში აისახა ადამიანის სიმარტოვის თემა, ამასთან, მხატვარს იზიდავდა სულიერად ახლობელი ადამიანების მტკიცე კავშირი, ერთიანობა. შემოქმედების ბოლო წლებში კ-ს ფერწერულმა მანერამ თავისუფალი იმპროვიზაციის ნიშნები შეიძინა, სინათლე მის სურათებში სილბოთი და ვიბრაციით ხასიათდება. კ-ს ნოვატორულ ხელოვნებას ბევრი მიმდევარი ჰყავდა როგორც იტალიაში, ისე მთელ ევროპაში. მან საფუძველი ჩაუყარა ახ. მიმდინარეობას ფერწერაში — *კარავაჯიზმს.*

ლიტ.: Знамеровская Т., Микельанджело да Караваджо, М., 1955.

ილუსტრაცია—ob. ჩანართი, გვ. 353.

კარაველა (იტალ. caravella), მაღალბორტიანი საზღვაო აფრიანი გემი; აქვს ერთი გემბანი, 3—4 ანძა, მაღალი ზედნაშენი ცხვირსა და კიჩოზე. გავრცელებული იყო XIII—XVII სს. იტალიაში, ესპანეთსა და პორტუგალიაში. 1492 *კოლუმბის* მეთაურობით კ-ების ფლოტილიამ გადაცურა ატლანტის ოკეანე, ხოლო 1498 კ-ით *ვასკო და გამა* ინდოეთში ჩავიდა.

კარაველოვი ლიუბენ (დაახლ. 1834, კოპრივშტიცა, — 21. I. 1879, რუსე), ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ბულგ. რევ. ცენტრ. კომიტეტის წევრი 1869-იდან, მისი თავ-რე 1872-იდან (შეადგინა ამ კომიტეტის პროგრამა). სწავლობდა პლოვდივის ბერძნ. გიმნაზიაში (1850—53). ერთხანს ცხოვრობდა მოსკოვში (1857—66). იყო მოსკ. უნ-ტის თავისუფალი მსმენელი. ნაწარმოებების ბეჭდვა დაიწყო მოსკოვში რუს. ენაზე (მოთხრ. „ბულგარელ ყაჩაღთა ატამანი", 1860; „ბულგარელთა ხალხური ყოფის ძეგლები", ტ. 1, 1861, მოთხრობათა კრებ. „ფურცლები ბულგარელი ხალხის ტანჯვის წიგნიდან", 1868). 1867, რეაქციის გაძლიერების გამო, კ-მ დატოვა რუსეთი და გაემგზავრა სერბიაში. იქ ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს; 1869 გაათავისუფლეს. კ-მა სერბ. ენაზე დაბეჭდა წერილები რეალიზმის საკითხებზე და მოთხრობები („დამნაშავეა თუ არა ბედი?", 1969; „სოკა", 1869; „ის ღმერთმა დასაჯა", 1870). 1869-იდან ცხოვრობდა ბუქარესტში, დაუახლოვდა ბულგ. პოლიტ. ემიგრანტთა წრეს (ვ. ლევსკის, ხ. ბოტევს), გამოსცემდა ბულგ. გაზ. „სვობოდას" (1869—72) და „ნეზავისიმოსტს" (1873—74). ვ. ლევსკის სიკვდილით დასჯის შემდეგ თანდათან ჩამოსცილდა რევ. მოძრაობას. რედაქტორობდა ჟურნ. „ზნანიეს" (1875-იდან), რ-შიც იბეჭდებოდა სამეცნ.-პოპულ. სტატიები და ფოლკლორული ნაწარმოებები. ბულგ. ხალხის ცხოვრებისა და ფოლკლორის ღრმა ცოდნამ ხელი შეუწყო შეექმნა ნაწარმოებები ჰაიდუკებზე, რეალისტურად აესახა ბურჟ. საზ-ბის ცხოვრების მახინჯი მხარეები და მორალური სიღატაკე („ვოევოდა", 1860; „დონჩო", 1864 და სხვ.). კ. ავტორია დრამისა „პაჯი დიმიტრიასენოვი" (1872). ჩის სახელთანაა დაკავშირებული ახ. ტრადიციების შექმნა ბულგ. და სერბ. ლიტ-რაში. კ. ბულგ. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

თხზ.: Избр. произведения, т. 1—3, С., 1954—56.

კარავი, ადგილიდან ადგილზე გადასატანი ან უძრავი, ადვილად ასაწყობ-დასაშლელი საცხოვრებელი. კულტ. ისტორიაში კ-ის წინამორბედად მიჩნეულია ხის ტოტებისა და ქერქისაგან ნაგები ქარსაფარი, რ-იც XX ს. დამდეგამდე შემორჩა (ავსტრალიელები, ცეცხლისმიწელები, აფრიკის ბუშმენები, პიგმეები). მიჩნეულია, რომ ორი ქარსაფრის შეერთებით წარმოიშვა პირველი ორფერდა კ. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში ცნობილია კონუსისებური, ნახევრადსფერული, პირამიდული და სხვ. კ. (ვიგვამი, ჩუმი, ტიპი, ვეჟა და სხვ.). ბინადარ მიწათმოქმედ ხალხში კ. თანდათან მყარ ნაგებობად იქცა. კ-მა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ტიბეტის, ირანის, არაბ., მონღ. და შუა აზიის მომთაბარე ხალხებში (იურთა, გედანი და ა. შ.). გადასატანი კ-ების ეს სახეები დაედო საფუძვლად ისტორიაში ცნობილ სალაშქრო, აგრეთვე თანამედროვე სამხ., ტურისტულ, საექსპედიციო და სხვ. კ-ებს.

კარაველა.

ლ. კარაველოვი.

საქართველოში კ-ს საცხოვრებლად იყენებდნენ უძველესი ხანიდან. მისი უმარტივესი ფორმა — მონადირის კ. — ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი. ჩვენში კ-ის განვითარების შემდგომი საფეხურია წნული ფაცხა — ალაჩოყი, რ-იც ეთნოგრ. სინამდვილეში გვხვდება სამეურნეო დანიშნულებისათვის, ალპურ საძოვრებზე კი— მწყემსის სეზონურ სადგომად.

ლიტ.: Липс Ю., Происхождение вещей, пер. с нем., М., 1954.

ე. შამილაძე.

კარავი (არქიტ.), გეგმით ცენტრალური ნაგებობის (სამრეკლო, ტაძარი, კოშკი) დამაგვირგვინებელი მაღალი ნაწილი, რ-საც ოთხ- ან რვაწახნაგა პირამიდის სახე ჰქონდა. გავრცელებული იყო უმთავრესად რუს. ხის ხუროთმოძღვრებაში XVIII ს-მდე. XVI—XVII სს-იდან ქვის ეკლესიებსა და სამრეკლოებშიც გვხვდება.

„კარავი", პარლამენტის მსგავსი დაწესებულება, რ-ის დაარსებაც მოსთხოვა *ყუთლუ-არსლანის* პოლიტიკურმა დასმა საქართველოს მეფეს *თამარს.* „კ". უნდა დაედგათ *ისანში,* მეფის სასახლის მახლობლად. „კ-ს" უნდა მისცემოდა საკანონმდებლო უფლებები. როგორც ვარაუდობენ, მასში მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღოთ ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლებსაც. მის წევრებს უნდა გადაეწყვიტათ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: „მიცემისა და მოღებისა", „წყალობისა და შერისხვისანი" (სხვადასხვა თანამდებობის წყალობა და ჩამორთმევა, საჭიროების შემთხვევაში დამნაშავე თანამდებობის პიროა დასჯა, ე. ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება). საქართვ. მეფეს „კ-ის" მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, საქმეების გარჩევაში არ უნდა ჩარეულიყო. მას „კ-ში" გადაწყვეტილი („განგებული") საკითხი სისრულეში უნდა მოეყვანა, „სრულექმნა". ამგვარად, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პროგრამა მეფეს მხოლოდ აღმასრ. უფლებებს უტოვებდა. „კ". არსებითად განსხვავებული იქნებოდა „დარბაზისგან", რადგან იგი უნდა ყოფილიყო არა სათათბირო და ერთდროული ორგანო, არამედ მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით. ყუთლუ-არსლანის პო-



კარავი. კარვისებრი ხის სამლოცველო სოფელი უსტვიეა. ვერხნიაია-ტოიმის რაიონი. არხანგელსკის ოლქი. XVII ს.

ჯ. კარაიანი.

კარაკალი.

ნ. კარამზინი.

ლიტ. დასის გამოსვლა მარცხით დამთავრდა და „კ-ის" დაარსების იდეაც ვერ განხორციელდა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და პროგრამა ნათლად გვიჩვენებს, თუ განვითარების რა მაღალ დონეზე იდგა ქართ. საზოგადოებრიობა, რ-იც ჯერ კიდევ XII ს-ში მოითხოვდა სახელმწ. წესწყობილების შეცვლას და ე. წ. კონსტ. მონარქიის შექმნას. არის მოსაზრება (ნ. ბერძენიშვილი), რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტ. პროგრამა იყო შემდგომი განვითარება იმ საუკუნოვანი ბრძოლისა, რ-საც ფეოდალური ოპოზიცია აწარმოებდა მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინააღმდეგ.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., შინაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII ს. 80-იან წლებში, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 7, თბ., 1974; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგნ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929.

რ. მეტრეველი.

კარათისჯვარი, მთა კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. ტოტზე, მდ-ების ლიქოკისხევისა და აკუშოსხევის (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 2684 *მ*. აგებულია შუაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები ციცაბოა და შემოსილია სუბალპ. და ალპ. ბალახეულობით.

ლ. მარუაშვილი.

კარაიანი (Karajan) ჰერბერტ ფონ (დ. 5. IV. 1908, ზალცბურგი), ავსტრიელი დირიჟორი. მუს. განათლება მიიღო ზალცბურგის „მოცარტეუმში". 1927—34 დირიჟორად იყო ქ. ულმის საოპერო თეატრში, 1934—41 — ქ. აახენში. 1941—44 ხელმძღვანელობდა ბერლინის სახელმწ. კაპელას. 1947-იდან ვენის „მუსიკის მეგობართა საზოგადოების" დირიჟორი და ზალცბურგის, ვენის, ბაიროითის, ბერლინის, მიუნხენისა და სხვ. ფესტივალების მონაწილე და ორგანიზატორი. გასტროლებს მართავდა ვენისა და ლონდონის ფილარმონიის ორკესტრებთან ერთად. გამოდიოდა როგორც დირიჟორი და საოპერო თეატრის რეჟისორი. 1955-იდან დას. ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის ხელმძღვანელი, პარალელურად ვენის სახელმწ. ოპერისა (1956—64) და ზალცბურგის ფესტივალების (1957—60) მუს. ხელმძღვანელი. ჰ. თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დირიჟორია. გამოდიოდა სსრკ-ში (1962, 1964, 1969). ჰ-ის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მუს. ფორმის შესანიშნავი გრძნობა.

ლიტ.: Р у б и н М., Три портрета, «Советская музыка», 1962, № 4.

კარაკალა მარკუს ავრელიუს ანტონინუს ბასიანე (Bassianus Marcus Aurelius Antoninus Caracalla. კარაკალა — ლაბადოსანი შეარქვეს ჯარისკაცებმა გალიური ლაბადის გამო, რ-საც იგი ატარებდა) (186—217), რომის იმპერატორი 211-იდან; სევერუს ლუციუს სეპტიმუსის ძე. მისი სისხლიანი რეჟიმი დაიწყო თანაიმპერატორი ძმის — გეტას — მოკვლით (212). ანადგურებდა მდიდარ მოქალაქეებს და მათ ქონებას იტაცებდა (ტერორის მსხვერპლი გახდა 20 ათ. კაცი). მოკლა საკუთარი ცოლიც და დედინაცვალი შეირთო, ხოლო როცა ამის გამო ალექსანდრიაში ყოფნისას „ოდიპოსი" შეარქვეს, საპასუხოდ ქალაქი საშინლად ააწიოკა. მისი პოლიტიკის საყრდენი იყვნენ ჯარისკაცები, რ-თაც უხვად ასაჩუქრებდა და ჯამაგირიც მოუმატა. 212 გამოსცა ედიქტი (Constitutio Antoniniana), რ-ითაც რომის მოქალაქეობის უფლება მიენიჭა პროვინციების თავისუფალ მოსახლეობას. 213 ჰ. ომობდა მდ. რაინზე, ბრიტანეთსა და დუნაისპირეთში. 215 წარმატებით ილაშქრა პართიის წინააღმდეგ. პართიის წინააღმდეგ ახ. ლაშქრობის დროს მოკლეს შეთქმულებმა პრეტორიანელების პრეფექტის მაკრინუსის მეთაურობით.

ლიტ.: ს ა ნ ი კ ი ძ ე ლ., რომის იმპერია, ნაკვ. 1 (პრინციპატი), თბ., 1969.

ლ. სანიკიძე.

კარაკალი (Felis caracal), მტაცებელი ძუძუმწოვარი *კატისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 85 *სმ* აღწევს, მასა 11 — 13 *კგ*. მოყვითალო ზურგი და მოთეთრო მუცელი აქვს. გავრცელებულია აზიისა და აფრ. უდაბნოებსა და მთისწინებში. სსრკ-ში ცოტაა, გვხვდება სამხრ. თურქმენეთში, იშვიათად — უზბეკეთში. იკვებება მღრღნელებით, ფრინველებით, ქვეწარმავლებით და სხვ. შობს 1-4 ბოკვრს. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. ინდოეთში ჰ-ს კურდღლებზე, ფრინველებსა და პატარა ანტილოპებზე სანადაროდ წვრთნიან. სსრკ-ში მასზე ნადირობა აკრძალულია.

კარაკასი (Caracas), ვენესუელის დედაქალაქი, ქვეყნის პოლიტ., სავაჭრო-საფინანსო, სამრეწვ.-სატრანსპ. და კულტ. ცენტრი. მდებარეობს კარიბის ანდების ხეობაში, 900—1000 *მ* სიმაღლეზე, კარიბის ზღვის სანაპიროდან 14 *კმ*. ჰაცა სუბეკვატორული, ნოტიო. იანვ. საშ. ტემპ-რა 18,6°C, ივლისისა 21,2°C. ნალექები 820 *მმ* წელიწადში. ჰ. მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად ქმნის ფედერალურ (დედაქალაქის) ოლქს. დაახლ. 3 მლნ. მცხ. (გარეუბნებიანად, 1978). ქალაქს მართავს გუბერნატორი.

ჰ. დააარსა ესპ. კონკისტადორმა დიეგო დე ლოსადამ 1567 წ. 25 ივლ. (ინდიელების კარაკასის ტომის ნამოსახლარზე) და უწოდა სანტიაგო-დე-ლეონ-დე-კარაკასი. 1577-იდან იყო ესპ. გუბერნატორის რეზიდენცია. დიდი კოლუმბიის დაშლისა (1830) და ვენესუელის რესპ. შექმნის შემდეგ მისი დედაქალაქია.

ჰ-ში არის კვების, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ქიმ., ნავთობქიმ., ფარმაცევტული, რეზინტექ., მინის, ქაღალდის, ცემენტის, ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები. ავტომობილებისა და სხვა მანქანების აწყობა. ეროვნ. და უცხოეთის ბანკების, სამრეწვ. და სავაჭრო კომპანიათა კანტორები.

კოლონ. დროიდან ქალაქი დაგეგმარებული იყო სწორი ქუჩებით. ცენტრ. მოედან პლასა-ბოლივარზე აღმართულია ტაძარი (ძირითადი შენობა 1664—74, არქიტ. ჰ. დე მედინა). 1936 დაიწყო რეკონსტრუქცია, გაიყვანეს ახალი მაგისტრალები, აშენდა საზ. და საქმიანი შენობების ანსამბლები.

ჰ-ში არის სახელმწ. ცენტრ. უნ-ტი, 2 კერძო უნ-ტი, მუსიკისა და ხელოვნ. კოლეჯები, ეროვნ. პედ. ინ-ტი, უმაღლესი სამედ. სკოლა, რამდენიმე აკადემია და სამეცნ.-კვლ. დაწესებულება. საერთაშ. საზ-ბები, ბ-კები, მუზეუმები, თეატრები და საკონცერტო დარბაზები.

კარაკინი, 1. საზომი იარაღი დეტალთა გარე წრფივი ზომების შესადარებლად მასშტაბური სახაზავის, ნაპირა საზომის ან კალიბრის მიხედვით აღებულ ზომებთან. ჰ. შედგება სახსრულად შეერთებული ორი რკალისებრი ფეხისაგან. ზოგჯერ სკალაც აქვს. ჰ-ის გაზომვის ზღვარია 200 *მმ*, ფეხების სიგრძე 600 *მმ*. 2. 2-იდან 80 *მმ*-მდე დიამეტრის წრეხაზების გამოსახაზავი იარაღი. არსებობს სახაზავი ჰ., რ-ის საზომი ფეხები ხრახნულადაა შეერთებული და ჰ. ვერტიკალურადაა ფიქსირებული საყრდენი და მოძრავი საზომი ფეხებით. მოძრავი ფეხის მდგომარეობა ხრახნით ფიქსირდება.

კარალეთი, სოფელი გორის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე, გორი—ცხინვალის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჰ., დიდი გარეჯვარი, პატარა გარეჯვარი). ზ. დ. 650 *მ*, გორიდან 8 *კმ*. მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ., საშ. და საღამოს (ცვლილიანი) სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღი, კულტსახლი, ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

ჰ-ში მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოს ხანის სამოსახლო გორა. სოფლის ძვ. სახელია *ნაჭარმაგევი*. აქ იყო საქართვ. მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. შემორჩენილია ფეოდ. ხანის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნაგრეგები.

კარალიჩევი ანგელ (დ. 21. VIII. 1902, სტრაჟიცა, ტირნოვოს მახლობლად), ბულგარელი მწერალი, ბულგ. კულტ. დამს. მოლვაწე (1963). დიმიტროვის პრემიის ლაურეატი (1966). მოთხრობათა პირველი კრებ. „ჭეკავი" (1924) მიუძღვნა 1923 სექტემბრის აჯანყებას. შემდეგ თანამშრომლობდა ჟურნ. „ზლატოროგში", იცავდა „წმინდა ხელოვნების" პრინციპებს. 30-იანი წლებიდან ჰ-ის შემოქმედება კრიტ. რეალიზმის პოზიციებზე გადაეიდა (მოთხრობათა კრებულები „ყალბი სამყარო", 1932; „ბულგარული მიწა", 1939). ბულგარეთში სახ. დემოკრ. წყობილებ.ს დამყარების შემდეგ მის ნაწარმოებებში გაძლიერდა სოც. მოტივები (კრებ. „შეკვარდენთა ჯეჯილი", 1946; „სახალხო დამცველი", 1949). ჰ. საბავშვო წიგნების ავტორიცაა („მამაცი ბულგარელები", 1959 და სხვ.).

კარამანლისი (Karamanlēs) კონსტანტინოს (დ. 23. II. 1907, ქ. პროტი), საბერძნეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1946—55 ეკავა სხვადასხვა მინისტრის პოსტი. დააარსა პარტია ეროვნ.-რადიკალური კავშირი (ერკ, არსებობდა 1956—67) და პარტია ახალი დემოკრატია (შეიქმნა 1974 სექტ.). 1955—58, 1958—61, 1961—63, 1974 — 80 საბერძ. პრემიერ-მინისტრი. 1980 მაისიდან საბერძნეთის პრეზიდენტი.

კარამელი (ფრანგ. caramel < გვიანდ. ლათ. cannamella — შაქრის ლერწამი), შაქრის საკონდიტრო ნაწარმი. შეიცავს საქაროზას, მალტოზას, გლუკოზას და ხილის, კენკრის, ნიგოზის, კაკაოს შემადგენელ ნაწილებს. განასხვავებენ შაქრის ყინულისა და სატენიან კ-ს.

კარამზინი ნიკოლოზ მიხეილის ძე [1 (12). XII. 1766, სოფ. მახაილოვკა, ახლანდ. ბუზულუკის რ-ნი, ორენბურგის ოლქი, — 22. V (3. VI). 1826, პეტერბურგი], რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი. დაინტერესებული იყო განმანათლებლობით, ინგლ., გერმ. სანტიმენტალისტების შემოქმედებით. 1789—90 იმოგზაურა დას. ევროპაში. 1791—92 გამოსცემდა „მოსკოვსკი ჟურნალს", ხოლო 1802—03 — ჟურნ. „ვესტნიკ ევროპის". ჰ. რუს. სანტიმენტალიზმის მამამთავარია. ამ მიმდინარეობის სულისკვეთებითაა დაწერილი მისი „რუსი მოგზაურის წერილები" (1789—91), მოთხრობები „ფროლ სილინი", „საწყალი ლიზა" (1792). ჰ. წერდა აგრეთვე ისტ. მოთხრობებს, სანტიმენტალურ ლექსებს, სტატიებს. თვალსაჩინო წვლილი შეიტანა რუს. სალიტ. ენის განვითარებაში. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე რუს. ისტორიოგრაფიის წინაშე. ნაშრომისათვის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია" (ტ. 1—12, 1816—29) ჰ-მა ფართოდ გამოიყენა მატიანეები, სიგელები, ისტ. დოკუმენტები, რ-თაგან ზოგიერთი დღეს უკვე დაკარგულია. ნაშრომში საკმაოდ ვრცლადაა მიმოხილული რუს.-საქართვ. ურთიერთობა XVII ს-მდე. ჰ. ხოტბას ასხამს თა-



კარაკასი. ქალაქის ნაწილის ხედი.

მარ მეფეს, მისი მმართველობის პერიოდს ქართ. სიტყვიერების ოქროს ხანას უწოდებს, სიმამაცეს უქებს ქართველებს. ჰ. პოპულარული იყო ქართ. სალიტ. წრეებში. მის შემოქმედებას დიდად აფასებდნენ ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი და სხვ. ჟურნ. „ცისკარში" იბეჭდებოდა ჰ-ის ნაწარმოებების ქართ. თარგმანები.

ლიტ.: რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950. *ვ. შადური.*

კარანდაში (ნამდვ. სახელი და გვარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რუმიანცევი) [დ. 27. XI (10. XII). 1901, პეტერბურგი], ცირკის რუსი საბჭ. მსახიობი, კლოუნი, სსრკ სახ. არტისტი (1969). სოციალისტური შრომის გმირი (1979). ცირკში მოღვაწეობა დაიწყო 1930. თავდაპირველად გამოდიოდა ჩარლი ჩაპლინის ნიღბით. შემდგომ, 1934—35, შექმნა ახ. სახე ბავშვურად გულუბრყვილო და ხალისიანი მოზრდილი ადამიანისა. ჰ-ის მოწაფეები არიან ი. ნიკულინი, მ. შუიდინი და სხვ. გადაღებულია ფილმში „კარანდაში ყინულზე" და სხვ.

ლიტ.: Никулин Л., Карандаш, М., 1951.

კარანსა (Carranza) ვენუსტინო (29. XII. 1859, კუატრო-სიენეგასი, — 21. V. 1920, პუებლოს შტატი), მექსიკის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მსხვილი მემამულე. მექსიკის რევოლუციაში (1910—17) მონაწილეობდა როგორც ეროვნ. ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეების ერთ-ერთი ლიდერი. 1914 დროებით პრეზიდენტად გამოაცხადეს, 1917-იდან პრეზიდენტი. მის დროს მიიღეს ბურჟ.-დემოკრ., ანტიიმპერიალ. ხასიათის კონსტიტუცია, რ-იც დღემდე ძალაშია. მიუხედავად ამისა, მმართველი კლასების ინტერესების გამომხატველი ჰ. მკაცრად აზშობდა გლეხობისა და მუშათა კლასის მოძრაობას. ჩამოაგდეს გადატრიალების შედეგად და მოკლეს, როდესაც დედაქალაქიდან გარბოდა.

კარანტანია (Karantanija), სლოვენთა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო, რ-იც მდებარეობდა მდ. მურისა და დრავის ზემოწელზე VII—XI სს-ში. წარმოიშვა როგორც დამოუკიდებელი პოლიტ. ერთეული სამის სახელმწიფოს დაშლის შემდეგ (658). VIII ს. 40-იან წლებში დამოკიდებული გახდა ბავარიის საჰერცოგოზე, მისი დამარცხების შემდეგ კი, 788—820, ფრანკთა სახელმწიფოს ვასალურ სამთავროდ იქცა. 976 იმპ. ოტო II-მ ჰ-ს შეუერთა რამდენიმე მარკა ჭარები სლავური მოსახლეობით და შექმნა საჰერცოგო „დიდი ჰ.", რ-იც XI ს. დამდეგს დაიშალა რამდენიმე ფეოდ. სამფლობელოდ: *კარინტიად, კრაინად*, კარინტიის მარკად (შემდეგში *შტირია*) და სხვ.

კარანტინი (იტალ. quarantena<quaranta giorni — ორმოცი დღე), ეპიდემიური კერიდან ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო და ამ კერის სალიკვიდაციო ღონისძიებების სისტემა. ჰ. პირველად შემოიღეს XIV ს-ში იტალიაში (იმ ქვეყნებიდან დაბრუნებულ გემებს, სადაც შავი ჭირის არსებობა იყო საეარაუდებელი, 40 დღეს რეიდზე აჩერებდნენ. აქედან მოდის სახელწოდებაც). მოგვიანებით ჰ. გამოიყენეს სხვა ინფექციური დაავადებების დროსაც. სსრკ-ში მოქმედებს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ 1967 შემუშავებული „სანიტარიისა და საკარანტინო, აგრეთვე სხვა ინფექციური დაავადებების შემოტანისა და გავრცელებისაგან სსრკ ტერიტორიის დაცვის წესები". ამ წესების მიხედვით ხდება იმ ღონისძიებათა რეგლამენტირება, რ-ებიც ტარდება ე. წ. საკარანტინო დაავადებების (შავი ჭირი, ქოლერა, ყვავილი, ყვითელი ცხელება, მალარია, ჯილეხი, ბრუცელოზი, თურქული, ქოთაო, ფსითაკოზი, ცოფი) დროს.

სსრკ ტერიტ. სანიტ. დაცვისათვის მიმართავენ ადმინისტრაციულ-სანიტარულ (სსრკ-ის ფარგლებს გარეთ გასვლისა და სსრკ-ში შემოსვლის აკრძალვა მათთვის, ვინც არ ემორჩილება სასაზღვრო სამედ. სანიტ. სამსახურის მოთხოვნას, საკარანტინო დაავადებების მხრივ საეჭვო ქვეყნებიდან ამანათების მიღების აკრძალვა და სხვ.) და სამედიცინო-სანიტარულ საკარანტინო ღონისძიებებს (იმ მგზავრების სამედ. შემოწმება, რ-ებიც სსრკ-ში შემოდიან; *ავადმყოფის იზოლაცია*; ავადმყოფებთან კონტაქტში მყოფ პირთა *ობსერვაცია* და სხვ.).

შეიძლება გამოცხადდეს საცხოვრ. სახლის, საერთო საცხოვრებლის, სამხ. ნაწილის, ეშელონის, დასახლ. პუნქტის, მთელი რ-ნისა და დასახლ. ადგილის ჰ. იგი მოიცავს აგრეთვე სანიტ. დამუშავებას, დეზინფექციას, იმუნიზაციას და სხვ. ღონისძიებებს

ვეტერინარიაში ჰ. საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ცხოველთა ინფექციური დაავადებების გავრცელება. ჰ. ცხადდება თურქულის, ჯილეხის, შავი ჭირის, ემფიზემატოზური კარბუნკულის, ნიუკასლის დაავადების, ინფექციური ანემიის, პასტერელოზის, ყვავილის, მიკოპლაზმოზის და სხვ. დროს. დაავადებათა ნუსხა, რ-თა დროსაც ცხადდება ჰ., დადგენილია სსრკ ვეტ. წესდებით. შეიძლება გამოცხადდეს საქონლის სადგომის, საფუტკრის, ტბორის, მეურნეობის ან მისი ცალკეული განყ-ბის და სხვ. ჰ. იგი ცხადდება და იხსნება სახ. დეპუტატების რ-ნული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მთავარი ვეტექიმის წარდგინების საფუძველზე.

კარაპეტი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (ოლადაურის სოფსაბჭო), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1420 *მ*, შუახევიდან 18 *კმ*. ოლადაურის კ. მარქსის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კარარა (Carrara), ქალაქი ცენტრალურ იტალიაში, ტოსკანაში, მასა-კარარის პროვინციაში. ლიგურიის ზღვის სანაპიროდან 6 *კმ* (ავანპორტი მარინა-დი-კარარა). 68 ათ. მცხ. (1971). ცნობილია თეთრი მარმარილოს კარიერებით, სადაც მუშაობს ქალაქის მრეწველობაში დასაქმებულთა დაახლ. 1/2. მარმარილოს დიდი ნაწილი საექსპორტოა. ქიმ., ლითონდასამუშ., ნავთობგადასამუშ. მრეწვ. პატარა საწარმოები. ნატიფი ხელოვნ. აკადემია და სამხატვრო ლიცეუმი.

კარასლავოვი გეორგი (დ. 12. I. 1904, სოფ. დებირი, პლოვდივის ოკრუგი), ბულგარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დიმიტროვის პრემიის ლაურეატი (1950; 1959). ბულგ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1961); კულტ. სახ. მოღვაწე (1963). ბკპ წევრი 1924-იდან, ბკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი 1954-იდან, წევრი 1958-იდან; ბულგ. მწერალთა კავშირის თავ-რე (1952—62), სწავლობდა სოფიის უნ-ტში; 1928 გარიცხეს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის. თანამშრომლობდა ანტიფაშისტურ და პროლეტ. ბეჭდვით ორგანოებში. ჰ-ის მოთხრობათა პირველ კრებულებში „სალამური ტირის" (1927), „პოსტზე" (1932) და სხვ. ასახულია ბულგ. სოფლის სოც. კონფლიქტები და გლეხთა საბრძოლო-რევ. შეგნების ზრდა. ჰ-მა ბულგ. ლიტ-რაში წარმოაჩინა ახ. გმირის—მებრძოლი კომუნისტის სახე. მასვე ეკუთვნის რომანების ციკლი („უბრალო ადამიანები", წგნ. 1—4, 1951—56), მოთხრობათა კრებ. („სოფლური ამბები", წგნ. 1—2, 1946—50), პიესები („გაბეროვები", 1955; „ქვა ჭაობში", 1959; „ხმა ხალხისა". 1963) და ლიტ.-ისტ. სტატიები.

კარატაელები, ხუნძების მცირერიცხოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფი დასავლეთ დაღესტანში. ცხოვრობენ ახვახის რ-ნის ჩრდ. ნაწილში. რაოდ. დაახლ. 6 ათ. კაცი. მისდევენ მესაქონლეობას და მებალეობას. განთქმულია ქეჩის დამზადებით. კულტურითა და ყოფით ენათესავებიან ხუნძებს.

კარატაული ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია დაღ. ასსრ ახვახის რ-ნის აულებში კარატაში, არჩოში, ანჩიხში. ზემო და ქვემო ენსელოში, ტოქიტაში. ჰ. ე-ზე დაახლ. 6 ათასი კაცი ლაპარაკობს. ძირითადად გამოიყოფა 2 დიალექტი: საკუთრივ კარატაული და ტოქიტური. მათ შორის გაგებინება გაძნელებულია.

ჰ. ე-ის ფონეტ. სისტემაში 5 მარტივი (ა, ე, ი, ო, უ) და 3 ნაზალიზებული ხმოვანია. თანხმოვანთა სისტემა რთულია, აღსანიშნავია ხშულ-მსკდომთა სამეულები; სპირანტებიც სამეულებს ქმნის. ლატერალურ თანხმოვანთაგან სონორი ლ-ს გარდა არის აგრეთვე 5 ჩქამიერი ფონემა. დასტურდება სუსტი მკვეთრი აფრიკატი ლატერალიც.

სახელები იყოფა გრამატ. კლასების მიხედვით. მხოლოობითში გამოიყოფა 3 კლასი, მრავლობითში—2. არსებით სახელთა მრავლ. რიცხვი იწარმოება საგანგებო სუფიქსებით; ზმნებსა და ზედსართავ სახელებში რიცხვის საწარმოებლად კლასის ნიშნებია გამოყენებული. ძირითადი ბრუნვებია: სახ., მოთხრ., ნათ., მიც. (ტოქიტურში — აფექტივიც) და ადგილობითი ბრუნვების რთული სისტემა, რაც 8 სერიას ქმნის. ბრუნება ორფუძიანია. თვლა ათობითია (ტოქიტურში — ოცობითი). პირის ნაცვალსახელებში გაირჩევა ინკლუზივი და ექსკლუზივი.

ზმნა იცვლება გრამატ. კლასის მიხედვით, პირისა და გვარის კატეგორია არ მოეპოვება, აქვს დადებითი და უარყოფითი ფორმები. გავრცელებულია ზმნურ ფორმათა აღწერითი წარმოება. არის ინფინიტივიცა და მასდარიც, მიმღეობები. დიდ როლს ასრულებს აბსოლუტივი (განსაკუთრებით რთული წინადადების გადმოსაცემად). სიტყვაწარმოება შედარებით ღარიბია. ლექსიკაში კარგადაა დაცული უძველესი ფენა. მრავლადაა ნასესხები სიტყვები რუს. და ხუნძური ენებიდან. ჰ. ე. უმწერლობოა (სამწერლობო ენად იყენებენ ხუნძურს).

ლიტ.: Бокарев А. А., Материалы по диалектологии андо-цезских языков. I. Наречие аула Токита, кр.: Памяти акад. Н. Я. Марра, М.—Л., 1938; Гудава Т. Е., Консонантизм андийских языков, Тб., 1964; Магомедбекова З. М., Каратинский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967.

ზ. მაჰომედბეკოვა.

კარატი, 1. ძვ. ბერძნული წონის ერთეული. შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. ბერძნ.-რომაული ჰ. უდრიდა 0,189 გ. ეგვიპტური — 0,196 გ; საქართველოში დამკვიდრდა კერატის (XI—XVII სს.) და ყირათის (XVII—XVIII სს.) სახელწოდებით. კერატი შედიოდა დრამის წონით სისტემაში და მისი 1/12 ანუ 0,212 გ იყო. ყირათი შეადგენდა მისხლის 1/24 ანუ 0,192 გ. 2. ძვირფასი ქვების მასის საზომი. 1907 პარიზის საერთაშორისო კონვენციის განსაზღვრით ჰ. უდრის 200 *მგ* ან $2 \cdot 10^{-4}$ *კგ*. სსრკ-ში მიღებულია 1922-იდან. ზოგ ქვეყანაში აღნიშნავს ძვირფასი ლითონების შენადნობის სინჯს. *გ. ჯაფარიძე.*

კარატინგინი ვასილი ანდრიას ძე [26. II (10. III). 1802, პეტერბურგი, — 13 (25). III. 1853, იქვე], რუსი მსახიობი. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1820. დიდი წარმატებით გამოდიოდა რომანტიკულ და მელოდრამატულ პიესებში. პეტერბ. ალექსანდრას თეატრის დაარსების დღიდან (1832) იყო ამ თეატრის წამყვანი ტრაგიკოსი. პირველმა შეასრულა ჩაცკის (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", 1831), დონ

კარანდაში.

ვ. კარატიგინი როლებში: ზემოთ—ველიზარიუსი (ვ. შენკის „ველიზარიუსი"); ქვემოთ—ნინო (ნ. პოლევოის „უგოლინო").

ი. ლ. კარაჯალე.

გუანის, ბარონის (პუშკინის „ქვის სტუმარი", 1847, და „ძუნწი რაინდი", 1852), არბენინის (ლერმონტოვის „მასკარადი", 1852) როლები. რუს. სცენისათვის თარგმნა და გადმოაკეთა 40-მდე პიესა, მ. შ. შექსპირის „მეფე ლირი", „კორიოლანი" და სხვ.

კარაქი, საკვები პროდუქტი. რძის ცხიმის (78—82,5%) კონცენტრატი. რძის ცხიმი გამოირჩევა ძვირფასი ბიოლ. და გემოვანი თვისებებით, შეიცავს ცხიმოვანი მჟავების ოპტიმალურ კომპლექსს, მნიშვნელოვანი რაოდენობით ფოსფატიდებს და ცხიმში ხსნად ვიტამინებს, მისი ლღობის ტემპ-რაა 32—35°C, მას ორგანიზმი ადვილად ითვისებს (95%-მდე). კ-ის შედგენილობაში შედის აგრეთვე რძეში არსებული ცილები, ნახშირწყლები, ზოგიერთი წყალში ხსნადი ვიტამინი, მინერ. ნივთიერებები და წყალი. სსრკ-ში კ-ს უმთავრესად ახ. ნაღებისაგან ამზადებენ; უშვებენ შემდეგი სახის კ-ს: უმარილოს, მარილიანს, ვოლოგდის, სამო

ნაწილეობა მიიღო ქართ. საკანცელარიო ტერმინოლოგიის დადგენაში.

გ. ჩხიკვაძე.

კარბელაშვილი ლუარსაბ ანდრიას ძე [5 (17). II. 1896, სოფ. მუხრანი, ახლანდ. მცხეთის რ-ნი, — 5. XI. 1973, თბილისი], ქართველი საბჭ. სტატისტიკოსი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1923 დაამთავრა თბილ. უნ-ტის სოც.-ეკონ. ფაკ-ტი. ამავე წელს დაიწყო მეცნ.-პედ. მოღვაწეობა. მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი სტატისტიკის, დემოგრაფიის, ეკონ. გეოგრაფიისა და საბჭ. საქართვ. ეკონ. პრობლემებისადმია მიძღვნილი. შეადგინა „აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია" (1958), პირველი სახელმძღვანელო საშ. სკოლებისათვის „საქართველოს სსრ ეკონომიკური გეოგრაფია" (1961 — 77, გამოიცა ქართ., რუს., სომხ., აზერბ. ენებზე), აგრეთვე პირველი სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია". (1973). შექმნა საქ. სსრ ეკონომიკური დარაიონების ბადე. 1923 — 38 მუშაობდა რესპ. სახელმწ. სტატისტ. და საგეგმო ორგანოებში. ხელმძღვანელობდა ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის ეკონ. გეოგრ. განყ-ბას და თსუ-ის ეკონ. გეოგრაფიის კათედრას.

კარბელაშვილი პოლიევქტოს გრიგოლის ძე (1855—1936), ქართველი მუსიკოსი, მგალობელი, მწერალი, ისტორიკოსი. ავტორია წიგნისა „ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა" (1898), სადაც განხილულია მიქაელ მოდრეკილის „იადგარი" და გამოთქმულია საყურადღებო შეხედულება საგალობლებში ჩართულ სამუსიკო ნიშნებზე, მოცემულია ჰიპოთეზა ქართ. საეკლ. მუსიკის წარმართული პანგებიდან წარმოშობის შესახებ. ქართ. საგალობლები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილებისაგან ჩაიწერა და ერთ კრებულად გამოსცა კომპოზიტორმა მ. იპოლიტოვ-ივანოვმა, იგივე მასალა ქალ-ვაჟთა გუნდისათვის დამუშავა და კრებულის სახით დაბეჭდა ზ. ფალიაშვილმა 1910. აღსანიშნავია კ-ის საგამომცემლო მოღვაწეობა. მან მოამზადა და გამოსცა ძვ. ქართ. ლიტ. ძეგლები: „ვეფხისტყაოსნის" დამატებანი („ივერია", 1880, № 3), ანტონ I-ის „მზა-მეტყველება" (1892), იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება" (1899), „წმინდა ნინოს ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია, რ-იც არსენ ბერს (XI—XII სს.) მიეწერება (1902), „ღვთისმშობლისა მიერ სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა..." (1903), იონა ხელაშვილის „ოქროს წყარო" (1905) და სხვ. კ-ს ეკუთვნის ისტ. მიმოხილვები „იერარქია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი" (1900), „ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში" (1902) და სხვ.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

გ. ჩხიკვაძე. ს. ცაიშვილი.

კარბენები, არამდგრადი ორგანული ნაერთები, რ-ებიც შეიცავენ ელექტრონეიტრალურ ორვალენტოვან ნახშირბადის ატომს R'R''C: (წერტილები ორი ელექტრონის აღმნიშვნელია); მრავალი ორგ. რეაქციის შუალედური ნაწილაკი. უმარტივესი კ-ა მეთილენი: CH_2, წარმოიქმნება დიაზომეთანის ან კეტენის თერმული ან ფოტოქიმ. დაშლისას, მაგ.:



$$CH_2N_2 \rightarrow :CH_2 + N_2.$$

გენერაციის პირობებისა და მათთან რეაქციაში შემავალი ნაერთების ბუნების მიხედვით კ-ის სტაბილიზება შეიძლება სხვადასხვა გზით.

კარბი, სოფელი გორის რ-ნში (მერეთის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 860 *მ*, გორიდან 28 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ*. მერეთის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეხილეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

კარბიდები, ნახშირბადის ნაერთები ელექტროდადებით ელემენტებთან. უმთავრესად ლითონებთან და ზოგიერთ არალითონთან. ქიმ. ბმის ტიპების მიხედვით არსებობს კ-ის 3 ძირითადი ჯგუფი: ი ო ნ უ რ ი (მაგ., CaC_2), კ ო ვ ა ლ ე ნ ტ უ რ ი (მაგ., SiC) და ლ ი თ ო ნ ი ს მ ს გ ა ვ ს ი (მაგ., TiC). იხ. *კალციუმკარბიდი, ბორის კარბიდი, სილიციუმკარბიდი.*

კარბინოლები, ალიფატური სპირტების ზოგადი სახელწოდება, განიხილავენ როგორც მეთილის სპირტის — კარბინოლის CH_3-OH ნაწარმებს. მაგ., იზოპროპილის სპირტს $(CH_3)_2CHOH$ ეწოდება დიმეთილკარბინოლი. იხ. *სპირტები.*

კარბიურატორი (ფრანგ. carburateur), ხელსაწყო, რ-იც დგუშიანი *შიგაწვის ძრავებისათვის* ამზადებს მსუბუქი თხევადი საწვავისა (უმთავრესად ბენზინისა) და ჰაერისაგან შემდგარ საწვავ ნარევს. საწვავი ნარევის შემზადების პროცესში იგი უზრუნველყოფს საწვავის დოზირებას, მის წმინდად გაფრქვევასა და განსაზღვრული რაოდენობის ჰაერთან შერევას, შემდეგ კი აორთქლებას. ნარევის წარმოქმნა კ-ში მთლიანად არ მთავრდება, პროცესი გრძელდება შემშვებ მილსა და ძრავას ცილინდრებში. კ. საწვავს ავტომობილის მუშაობის ყოველი რეჟიმის შესაბამისად ისეთი თანაფარდობით უნდა ამზადებდეს, რომ იგი ოპტიმალური იყოს ძრავას მუშაობის ყოველი რეჟიმისათვის და უზრუნველყოფდეს მანქანის საუკეთესო ეკონ. და დინამ. მაჩვენებლების მიღებას; ძრავას ცილინდრებში შესულ საწვავ ნარევში რაც შეიძლება სრულად უნდა დამთავრდეს თხევადი საწვავის აორთქლების პროცესი; კ. უნდა იყოს მარტივი და შეეძლოს ავტომ. რეგულირება.

ვ. მახალდიანი.

კარბიურატორიანი ძრავა, დგუშიანი *შიგაწვის ძრავა,* რ-იც მუშაობს აორთქლების კარგი უნარის მქონე მსუბუქი თხევადი საწვავით და იკვებება *კარბიურატორში* წინასწარ შემზადებული საწვავი ნარევით. განასხვავებენ ოთხტაქტიან და ორტაქტიან კ. ძ-ებს. ოთხტაქტიან კ. ძ-ს იყენებენ ძირითადად მსუბუქ, ზოგჯერ კი სატვირთო ავტომობილებზე, ორტაქტიანს — მოტოციკლეტებზე. საავტ. ძრავისათვის უმეტესად ბენზინს იყენებენ. თანამედროვე კ. ძ-ს *კუმშვის ხარისხია* 7—10. მისი კუმშვის ხარისხი შეესაბამება იმ საწვავის ოქტანურ რიცხვს, რ-იც ძრავას მუშაობისათვისაა განკუთვნილი. რაც უფრო მეტია საწვავის *ოქტანური რიცხვი,* მით უფრო დიდია კუმშვის ხარისხი, რ-ითაც კ. ძ-ს შეუძლია იმუშაოს უდეტონაციოდ (ე. ი. ნორმალურად) და განავითაროს უკეთესი ეკონ. და დინამ. მაჩვენებლები. თანამედროვე ავტომობილებისათვის ისეთ ბენზინს იყენებენ, რ-ის ოქტანური რიცხვია 66—98.

ვ. მახალდიანი.

კარაჩი. ქალაქის ნაწილის ხედი.

დ. კარბიშევი.

კარბიშევი დიმიტრი მიხეილის ძე [14 (26). X. 1880, ომსკი, — 18. II, 1945, ავსტრია, მაუტჰაუზენის სიკვდილის ბანაკი], საბჭ. მხედართუფროსი, საინჟინრო ჯარების გენ.-ლ. (1940). პროფესორი, სამხ. მეცნ. დოქტორი (1941), საბჭ. კავშირის გმირი (16. VIII. 1946). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო აკადემია (1911). მონაწილეობდა რუს.-იაპ. ომში (1904—05) და I მსოფლიო ომში (1914—18). 1917-იდან წითელ არმიაში იყო. 1918 სათავეში ედგა სამარისა და ციმბ. გამაგრებული რ-ნების მშენებლობას. 1921—23 საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო უკრ. და ყირიმის შეიარაღებული ძალების შტაბში. 1923—26 მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარი სამხ.-საინჟინრო სამმართველოს საინჟინრო კომიტეტის თავ-რე. 1926-იდან პედ. მუშაობას ეწეოდა ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემიასა და გენშტაბის სამხ. აკადემიაში. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა. დიდი სამამულო ომის (1941—45) დასაწყისში, 1941 წ. 8 აგვ. ფრონტზე (დას. ბელორუსიაში) მიიღო მძიმე კონტუზია და ტყვედ ჩავარდა. სიკვდილის ბანაკებში ანტიფაშისტურ აგიტაციას ეწეოდა. ფაშისტებმა მხეცურად აწამეს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (სიკვდილის შემდეგ), 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

კარბო..., კ ა რ ბ ო ნ... (ლათ. carbo, ნათ. ბრ. carbonis—ნახშირი), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს კავშირს ნახშირბადის ნაერთებთან (მაგ.,



უმარტივესი კარბიურატორის სქემა: 1—შემრევი კამერა; 2—დიფუზორი; 3—საჰაერო მილყელი; 4—საჰაერო საფარი; 5—საწვავ-სადენი; 6—ტივტივიანი კამერის ატმოსფეროსთან შემაერთებელი ნახვრეტი; 7—ჩამკეტი ნემსი; 8—ტივტივა; 9—ტივტივიანი კამერა; 10—ჟიკლიორი; 11—საფრქვეველი; 12—დროსელის საფარი.

კ ა რ ბ ი უ რ ა ტ ო რ ი ა ნ ი ძ რ ა ვ ე ბ ი ს მ ო ნ ა ცე მ ე ბ ი

№	ძრავას მარკა	ავტომობილის მარკა	კუმშვის ხარისხის სიდიდე	გამოსადეგი ბენზინის მარკა და ოქტანური რიცხვი
1.	მ—24 . . .	„ვოლგა" გაზ—24 (საერთო გამოყენების)	6,2	АИ—93
2.	მ—24 . . .	„ვოლგა" გაზ—24 (ტაქსი)	6,7	А —76
3.	მ—412 . .	„მოსკვიჩი" 412	8,8	АИ—93
4.	ვ—2101 . .	„ჟიგული" ვაზ—2101	8,8	АИ—93
5.	მემზ—968 .	„ზაპოროჟეცი ზაზ—966	7,2	А —76
6.	გაზ—13 .	„ჩაიკა" გაზ—13	8.5	АИ—93
7.	ზილ—111	(მსუბუქი) ზილ—111 გ	9,00	АИ—98
8.	ზილ—130	(სატვირთო) ზილ—130	6,5	А —76
9.	გაზ—53 .	(სატვირთო) გაზ—53	6,7	А —76



კარბონული სისტემის ნალექების დამახასიათებელი ორგანიზმები. ფორამინიფერები: 1—Fusulina—ნიკარის გარეგანი ფორმა, X 30; 2—Triticites—განივი კვეთი, X 15. თავფეხიანი მოლუსკები—ამონიტები: 3,4—Marathonites; 5,6—Eoasianites. მარჯნები: 7—კოლონიური მარჯანი Lithostrotionella, განივი კვეთი; 8—ერთეული მარჯანი Amplexus. ხავსელები: 9—Polypora, გვერდითი კვეთი X 11; 10—Polypora—გარეგანი სახე. 11—ზღვის შროშანი Cromyocrinus, 12—ფირფიტლაყუჩიანი მოლუსკი Allorisma. მხარფეხიანი მოლუსკები—ბრაქიოპოდები: 13—Choristites mosquensis; 14—იგივე, სადგულის შინაგანი აგებულება; 15—Gigantoproductus; 16, 17—Antiquatonia.

კარბიდები), ნახშირთან (მაგ., კარბონარები).

კარბოანჰიდრაზა, ნახშირის ანჰიდრაზა, კარბონატ-ჰიდრო-ლიაზა, ფერმენტი ლიაზების ჯგუფისა. აკატალიზებს ნახშირორჟანგიდან და წყლიდან ნახშირმჟავას წარმოქმნას: $CO_2+H_2O \rightleftarrows H_2CO_3$. კ. მეტალოპროტეიდია, შეიცავს Zn-ს: მისი მოლ. მასაა დაახლ. 30.000. შედის ერითროციტებში, თირკმლის უჯრედებში, კუჭის ლორწოვან გარსში, თვალის ბადურაში და სხვ. ერითროციტების კ. უზრუნველყოფს ქსოვილებში CO_2-ის მიკავშირებას სისხლთან და სწრაფად გამოყოფას ფილტვებსა და ლაყუჩებში, თირკმელში განაპირობებს მჟავე შარდის, კუჭში — HCl-ის, კუჭქვეშა ჯირკვალში — კუჭქვეშა წვენის ბიკარბონატების, ფრინველთა კვერცხსავალში — კვერცხის $CaCO_3$-ის შემცველი ნაჭუჭის წარმოქმნას და ა. შ. კ. აღმოჩენილია ზოგიერთი მცენარის ფოთლებშიც. *დ. ჯოხაძე.*

კარბოთერმია (*კარბო...* და ბერძნ. thermē — სითბო), მეტალურგიული პროცესი, რ-ის დროს ხდება ლითონების აღდგენა მათი ნაერთებიდან ნახშირბადითა და ნახშირბადის შემცველი მასალებით მაღალი ტემპ-რის პირობებში. ყველაზე უფრო გავრცელებული ნახშირბადშემცველი მასალაა მეტალ. კოქსი. განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ აღდგენას. პირველ შემთხვევაში აღდგენა ხდება მყარი ნახშირბადით, მეორე შემთხვევაში კი — ნახშირჟანგით. კარბოთერმული აღდგენა საფუძვლად უდევს რკინის მეტალურგიას (იხ. *ბრძმედული წარმოება*). ფერად მეტალურგიაში კ-ის მეშვეობით ღებულობენ ტყვიას, კალას, თუთიას და ზოგიერთ სხვა ლითონს.

კარბოლმჟავა, C_6H_5OH, იგივეა რაც *ფენოლი*; იყენებენ მედიცინაში, როგორც ანტისეპტიკურ და სადეზინფექციო საშუალებას.

კარბომჟავები, კლასი ორგანული ნაერთებისა, რ-იც შეიცავს კარბოქსილის ჯგუფს



(კარბოქსილს) —C<(O, OH) · —COOH ჯგუფთან დაკავშირებული რადიკალის ბუნების მიხედვით კ. შეიძლება მივაკუთვნოთ ალიფატურ (ცხიმოვან), ალიციკლურ, არომატულ ან ჰეტეროციკლურ რიგს. მოლეკულაში კარბოქსილის ჯგუფების რაოდენობის მიხედვით განასხვავებენ ერთ-, ორ- და მრავალფუძიან მჟავებს (მონო-, დი- და პოლიკარბომჟავები). კ. შეიძლება იყოს ნაჯერი და უჯერი.

ზოგიერთმა კ-მა სახელწ. მიიღო ბუნებაში მისი გავრცელების მიხედვით (მაგ., ჭიანჭველმჟავა, ვაშლმჟავა, ვალერიანმჟავა, ლიმონმჟავა). ჟენევის ნომენკლატურის მიხედვით, კ-ის სახელწოდებები მიღებულია ნახშირბადის ატომების იმავე რიცხვის შემცველი ნახშირწყალბადის სახელწოდებიდან, რ-ებსაც ემატება სიტყვა „მჟავა", მაგ., მეთანის მჟავა (ჭიანჭველმჟავა), ეთანის მჟავა (ძმარმჟავა) და ა. შ. ხშირად კ-ს იხილავენ როგორც ნახშირწყალბადების ნაწარმებს მაგ., HC≡C—COOH — აცეტილენკარბომჟავა.

კ-ის მჟავური თვისებები განპირობებულია მათი დისოციაციის უნარით:



$$RCOOH \rightleftarrows RCOO^- + H^+.$$

კ. მინერ. მჟავებზე უფრო სუსტი მჟავებია. მჟავათა სიძლიერე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე კარბოქსილთან დაკავშირებული რადიკალის ელექტროფილურობასთან. კარბოქსილის ჯგუფთან უშუალოდ დაკავშირებული ელექტროფილური ჩამნაცვლებლების (მაგ., NO_2, CN, Cl) შეყვანა მკვეთრად ადიდებს მჟავიანობას. მაგ., ციანძმარმჟავა $CNCH_2$—COOH 200-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ძმარმჟავა CH_3COOH. კარბოქსილის ჯგუფთან დაშორებისას ჩამნაცვლებლების გავლენა სუსტდება. კ. შეიძლება იყოს თხევადი (მაგ., დაბალი ცხიმოვანი მჟავები) ან მყარი (მაგ., მაღალი ცხიმოვანი ან არომატული მჟავები). ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების დაბალი წევრები წყალში კარგად იხსნება, სამ. წევრები (C_4—C_{10}) და აგრეთვე არომატული მჟავები კი — შეზღუდულად, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავები წყალში უხსნარია, კარგად იხსნება სპირტში, ეთერსა და ბენზოლში.

კ. ურთიერთქმედებენ ფუძეებთან და წარმოქმნიან სათანადო *მარილებს*. მინერ. მჟავების თანაობისას კ-ის სპირტებთან ურთიერთქმედებისას წარმოიქმნება რთული ეთერები.

კ-ის მიღების მეთოდები მრავალგვარია. პირველადი სპირტების და ალდეჰიდების ჟანგვით მიიღება ნახშირბადის იგივე რაოდენობის შემცველი კ.

კ-ის მიღების მნიშვნელოვანი მეთოდია მათი ნიტრილების ჰიდროლიზი. საწარმოო მნიშვნელობა აქვს ორგ. ნაერთების კარბონილირების, ე. ი. ორგ. ნაერთში CO ჯგუფის შეყვანის რეაქციას:



$$RCH_2OH \xrightarrow{CO} RCH_2COOH.$$

უმაღლეს ცხიმოვან კ-ს ფართოდ იყენებენ *საპნის, ლაქისა* და *საღებავის* წარმოებაში, ზედაპირულად აქტ. ნივთიერებების მისაღებად, ემულგატორებად კაუჩუკის წარმოებაში, პლასტიფიკატორებად რეზინის წარმოებაში და სხვ.

ლიტ.: Неницеску К. Д., Органическая химия, пер. с рум., т. 1—2, М., 1962—63.

კარბონარები (იტალ. carbonaro, სიტყვასიტყვით — მენახშირე < ლათ. carbo — ნახშირი), სამხრ. იტალიაში XIX ს. დასაწყისში აღმოცენებული ამავე სახელწოდების ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები. იტალ. კ. მიზნად ისახავდნენ ეროვნ.-განმათ. ბრძოლას ფრანგების, შემდეგ კი ავსტრიელების წინააღმდეგ. კ-ის სოც. შემადგენლობა ჭრელი იყო, ამან განაპირობა მათი ბრძოლის მიზნებისა და საშუალებების ნაირფეროვნება. კ. ბრძოლის მეთოდად უპირატესად იყენებდნენ შეთქმულებას, ტერორს, 1831 კ-ის ნაწილი შეუერთდა *„ახალგაზრდა იტალიას"*.

იტალიის გავლენით 1820—21 კ-ის ორგანიზაციები საფრანგეთში, შვეიცარიასა და ბალკ. ქვეყნებშიც გაჩნდა. *ბ. კიღურაძე.*

კარბონატები, ნახშირმჟავას H_2CO_3 მარილები. განასხვავებენ ნორმალურ (საშუალო) (მაგ., K_2CO_3), მჟავურ (ჰიდროკარბონატები ანუ ბიკარბონატები) HCO_3^- ანიონის მქონე (მაგ., $KHCO_3$) და ფუძე კ-ს [მაგ., $Cu_2(OH)_2CO_3$—მინერალი მალაქიტი]. ზოგიერთი კარბონატი (მაგ., თუთიის, ტყვიის, სპილენძის, რკინის, მანგანუმისა და სხვა) ძვირფასი ლითონური მადანია. კირქვას, ვიტერიტს და მაგნეზიტს იყენებენ სამშენებლო საქმეში, ქიმ. მრეწველობაში და ა. შ.; სინთეზური კ-იდან ფართოდ იყენებენ *სოდას*. იხ. აგრეთვე *კალციუმკარბონატი, ნატრიუმკარბონატი, კალიუმკარბონატი, მაგნიუმკარბონატი.*

კარბონატები ბუნებრივი, ნახშირმჟავა მარილების მინერალთა კლასი. განარჩევენ: ბიკარბონატებს (მჟავურ მარილებს), უწყლო და წყლიან ნორმალურ კარბონატებს, დამატებითი ანიონების $(OH)^-$, F^-, ან Cl^- შემცველ კარბონატებსა და რთულ კარბონატებს, რ-ებიც შეიცავენ $(SO_4)^{2-}$ ან $(PO_4)^{3-}$ ანიონებს. ყველაზე მეტად გავრცელებულია Ca^{2+}, Mg^{2+}, Fe^{2+}, Mn^{2+}, Ba^{2+}, Sr^{2+}, Pb^{2+}, Zn^{2+}, Cu^{2+} კატიონების შემცველი კარბონატები; დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ორმაგი მარილებიც. ბუნებაში Na^+, K^+ და $(NH_4)^+$ კატიონებს ძირითადად შეუძლია წარმოქმნას მხოლოდ ბიკარბონატები ან შევიდეს ორმაგი მარილების შედგენილობაში. კ-ის მეტი წილი კრისტალდება ტრიგონურ, რომბულ, უფრო იშვიათად ჰექსაგონურ, მონოკლინურსა და სხვა სინგონიებში. კრისტალები მეტწილად უფეროა, Fe^{2+}, Mn^{2+} და Cu^{2+}-ის ქრომოფორული იონების შემცველები კი მურა, ვარდისფერი, ყვითელი, მწვანე და სხვ. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 3—5. კ. წარმოიქმნება ჰიდროთერმული, დანალექი, იშვიათად მაგმური გზით. იხ. აგრეთვე *ანკერიტი, დოლომიტი, კალციტი, მალაქიტი, როდოქროზიტი, სიდერიტი, სმითსონიტი, ცერუსიტი.*

ლიტ.: Дир У. А., Хаун Р. А., Зусман Дж., Породообразующие минералы, т. 5, М., 1966.

კარბონატიტები, ძირითადად კარბონატებისაგან შედგენილი მაგმური ან მეტასომატური წარმოშობის ქანები. სივრცობრივად კ. ულტრაფუძე ტუტე ქანების მასივებს უკავშირდება. ტერმინი შემოიღო ნორვ. პეტროგრაფმა ვ. ბრეგერმა (1921). არსებობს კალციტიანი, დოლომიტიანი, ანკერიტიანი და სიდერიტიანი კ. ინტრუზიულ მასივებში კ-ითაა აგებული შტოკები, კონუსური და წრიული დაიკები და სხვ. ვულკ. აპარატებში კ-ით ამოვსებულია ამომყვანი ყელი; სპეციფ. ნატრიუმკარბონატული შედგენილობისაა ეფუზიური კ. ეფუზიური კ-ითაა აგებული ლავური ნაკადები და ვულკ. კონუსები. კ., როგორც მეორეხარისხოვან მინერალებს, შეიცავს ფლოგოპიტს, ვერმიკულიტს, მაგნეტიტს, იშვიათმიწათა და სხვა ელემენტების მინერალებს (ხშირად სამრეწ. რაოდენობითაც). *თ. ჩხოტუა.*

კარბონილის ჯგუფი, კარბონილი, *ალდეჰიდებისა* და *კეტონების* შედგენილობაში შემავალი ფუნქციური ჯგუფი >C=O.

კარბომჟავები, იგივეა, რაც *კარბომჟავები.*

კარბონული სისტემა (პერიოდი), პალეოზოური ჯგუფის რიგით მეხუთე სისტემა (გეოლ. წელთაღრიცხვის პალეოზოური ერის მეხუთე პერიოდი). მოსდევს დევონურ სისტემას (პერიოდს) და წინ უსწრებს პერმულ სისტემას (პერიოდს). აბსოლ. გეოქრონოლოგიით კ. პ. დაიწყო 350 მლნ. წლის წინათ და გრძელდებოდა



კარბონული სისტემა. კარბონული პერიოდის ტიპური ლანდშაფტი.

75 მლნ. წელს. ჰ. ს. (პ.) დაადგინეს ინგლ. გეოლოგებმა უ. კონიბირმა და უ. ფილიპსმა 1822 დიდ ბრიტანეთში. ჰ. ს. (პ.)-ის ერთიანი დანაწილების სქემა არ არსებობს. ჰ. პ., განსაკუთრებით მისი I ნახ., *თალასოკრატიული პერიოდი* იყო. კონტინენტურ მასივს წარმოადგენდა გონდვანა. ჰ. პ-ის II ნახევარში *ჰერცინული დანაოჭების* ზონაში (ურალი, ტიან-შანი, ყაზახეთი, ჩრდ.-დას. ევროპა, აღმ. აზია, ჩრდ. ამერიკა) წარმოიშვა მთები. ამ პროცესს დაუკავშირდა ძლიერი ეფუზიური და განსაკუთრებით ინტრუზიული მაგმატიზმი. ხმელეთის ჰავას თითქმის ყველა სარტყელში მაღალი ტენიანობა ახასიათებდა, რაც ხელს უწყობდა ტყისა და ჭაობის მცენარეულობის ფართოდ გავრცელებას ყველა კონტინენტზე და ქმნიდა ტორფისა და ქვანახშირის უმდიდრესი საბადოების წარმოქმნის პირობებს. ჰ. პ-ში მცენარეთაგან გავრცელებულია გიგანტური კალამიტები, მახათასნაირნი, ლიკოპოდიუმები (ლეპიდოდენდრონი, სიგილარია), თესლოვანი და სპორიანი გვიმრები, კორდაიტები, ჩნდება წიწვიანები, ზღვებში ბატონობს ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები; მტკნარ წყლებში—მწვანე წყალმცენარეები. ცხოველთა სამყაროში 3 მთავარი ზოოგეოგრ. ოლქი გამოიყოფა: ხმელეთაშუაზღვის, ჩრდ. ევროპისა და ციმბირის. მრავალფეროვანია ზღვის ფაუნა—ფორამინიფერები, ბრაქიოპოდები, ზღვის შროშნები და ზღარბები, მარჯნები, ცეფალოპოდები, ორსაგდულიანები, მუცელფეხიანები, კიბოსნაირნი; ვითარდებიან ხრტილიანი და ძვლიანი თევზები. ხმელეთზე ბატონობენ ამფიბიები, სტეგოცეფალები, გიგანტური მწერები (კალიები) და სხვ.

ჰ. ს-ის ქანები ფართოდაა გავრცელებული. სსრკ-ში კლასიკურად ითვლება დონეცისა და მოსკოვის აუზების, ურალის, ტუნგუსკისა და სხვ. ჭრილები; საქართველოში ჰ. ს-ის ნალექები ცნობილია სვანეთში (დიზის სერიის ნაწილი) და ხრამის მასივზე (ქვედა- და შუაკარბონული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი წყება).

სასარგებლო წიაღისეულიდან ჰ. ს-ში თავმოყრილია მსოფლიოს ქვანახშირისა და მურა ნახშირის მარაგის უდიდესი ნაწილი. სსრკ-ში ქვანახშირის დიდი საბადოებია დონეცის, ყარაღანდის, კუზნეცკისა და ტუნგუსკის აუზებში; საზღვარგარეთ — პოლონეთში (სილეზია), გფრ-ში (რურის აუზი), ბელგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში (პენსილვანია) და სხვ. გვხვდება აგრეთვე ნავთობისა და აირის (ვოლგა-ურალის, დნეპრ-დონეცის), სპილენძის (ჯეზყაზღანი), ტყვიის, თუთიის და სხვ. საბადოები.

ლიტ.: ჯანელიძე ა., ისტორიული გეოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1963.

ო. ხუციშვილი.

კარბორუნდი, სილიციუმკარბიდი, SiC, სილიციუმის ნაერთი ნახშირბადთან, ალმასის ბზინვარების უფერული კრისტალი, ტექ. პროდუქტი მწვანე ან შავი ფერისაა. ჰ. ძნელდნობადია (დნება 2830°C-ზე და თან იშლება), სისალით ჩამორჩება მხოლოდ ალმასსა და ბორის კარბიდს B_4C; მდგრადია სხვადასხვა ქიმ. გარემოში, მაგ., მაღალ ტემპ-რაზე. იყენებენ *აბრაზიულ მასალად* (ხეხვისას), სალი მასალების საჭრელად, ქიმ. და მეტალ. აპარატურის დასამზადებლად, აგრეთვე ელექტროტექნიკაში.

კარბოქსილაზა, ფერმენტი, რ-იც კეტომჟავებისაგან ჩამოხლეჩს ნახშირმჟავას. კ-ს აქტ- ჯგუფი B_1 ვიტამინის (*თიამინის*) ნაწარმია. ჰ. მონაწილეობს *დულილში.*

კარბოქსილიაზები, ფერმენტების ჯგუფი *ლიაზების* კლასისა; აკატალიზებენ კეტო- და ამინომჟავების დეკარბოქსილირებას (CO_2-ის მოხლეჩას). კეტომჟავების დეკარბოქსილირებას აკატალიზებს კო-

კარბონული სისტემის სტრატიგრაფიული დანაწილების სქემა

სსრკ		დას. ევროპა		ჩრდ. ამერიკა*
სექციები	სართულები	სექციები	სართულები	სისტემები
ზედა	ორენბ-ურგული	ზედა	**სტეფანური**	პენსილვანიური
	გჟელური			
შუა	მოსკოვური		ვესტფალიური	
	ბაშკირული			
ქვედა	ნამიურული		ნამიურული	
	ვიზეური	ქვედა	ვიზეური	მისისიპური
	ტურნეული		**ტურნეული**	

*ჩრდ. ამერიკაში ერთიანი ჰ. ს. (პ)-ის ნაცვლად გამოყოფილია ორი დამოუკიდებელი სისტემა (პერიოდი): პენსილვანიური და მისისიპური.

გვიანდელი კარბონული ეპოქის პალეოგეოგრაფიული სქემა



ხმელეთი · ზღვა ბაქნებზე · ზღვა გეოსინკლინებში · ნახშირდაგროვების ადგილები (შუა და გვიანდელი კარბონული ეპოქები) · ნოთელი ფერის ნალექები · ლავების ამონთხევა და ინტრუზიები · გვიანდელი კარბონული ეპოქის მყინვარული ნალექები · თაბაშირიანი და ანჰიდრიტიანი ნალექები · ბაქნების საზღვრები

რუკის ავტორიები: ო. ეინორი, კ. სესლავინსკი კონსულტანტი ვ. ხაინი

ი. კარგარეთელი.

ვ. კარგინი.



კარგარეთელები. ს. კარგარეთელი. ხელნაწერი გულანი. ფრაგმენტი. საქართვ. სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინ-ტი. თბილისი.

კარბოქსილაზა, ამინომჟავებისას — პირიდოქსალფოსფატი.

კარბოქსილირება, ორგანულ ნაერთში კარბოქსილის ჯგუფის—COOH წარმოქმნა CO_2-ის მოქმედებით. მაგ., ლითონორგ. ნაერთების კ. მიმდინარეობს ამ ნაერთების ხსნარში CO_2-ის გატარებით; მიღებული პროდუქტის ჰიდროლიზით კი *კარბომჟავა* მიიღება:

$$CH_3MgBr + CO_2 \xrightarrow{H_2O} CH_3COOMgBr \rightarrow CH_3COOH.$$

კარბოქსილის ჯგუფი, კარბოქსილი, *კარბომჟავების* შედგენილობაში შემავალი—$C\begin{matrix}O\\OH\end{matrix}$ ფუნქციური ჯგუფი.

კარბოქსიჰემოგლობინი, HbCO, ჰემოგლობინთან (Hb) ნახშირჟანგის (მხუთავი გაზი, CO) შეერთების პროდუქტი. კ-ის ხსნარი ღია წითელია. კ. 10000-ჯერ ნელა იშლება Hb-ად და CO-დ, ვიდრე ოქსიჰემოგლობინი Hb და O_2-დ. ამიტომ ჩასუნთქულ ჰაერში CO-ს შემცველობისას ჟანგბადი თანდათან გამოდევნება ჰემოგლობინიდან, ირღვევა ჟანგბადის გადასვლა ფილტვებიდან ქსოვილებში და ვითარდება ე. წ. მხუთავი მოწამვლა.

კარბუნკული, ძირდიდა (ლათ. carbunculus— ნაკვერჩხალი), კანის ღრმა შრეებისა და კანქვეშა უჯრედისის ჩირქოვან-ნეკროზული ანთება. უმეტესად ჩნდება კისერზე (უკან), სახეზე, ზურგზე და სხვ. ყველაზე სახიფათოა სახის კ., რადგან პროცესი შეიძლება ქალას ღრუშიც გადავიდეს. კ. ვითარდება კანის ფორებში (უმეტესად ტანსაცმლით გახეხილ ადგილებში) ჩირქმბადი მიკრობების მოხვედრის შედეგად. კ-ის გაჩენასა და განვითარებას ხელს უწყობს ორგანიზმის დაუძლურება, შაქრიანი დიაბეტი, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და თირკმლების მოქმედების მოშლა. თავდაპირველად ვითარდება ანთებითი ინფილტრატი, კანი და კანქვეშა უჯრედისი მკვრივდება, კანი მოწითალო-მოლურჯო ელფერს იღებს და პრიალებს. 8—10 დღის შემდეგ ინფილტრატი ჩირქდება (მწიფდება). მკვდარი უბნების მოცილების შემდეგ კანში წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე ძაბრისებრი ხვრელი; ზოგჯერ კ-ს დაერთვის საერთო ინტოქსიკაცია, მაღალი ტემპ-რა, მძიმე შემთხვევებში — პირღებინება, ცნობიერების დაკარგვა და სხვ.

მკურნალობა: ანტიბიოტიკები, რენტგენოთერაპია, ულტრამაღალი სიხშირის ველით (უმს) მკურნალობა, სისხლის გადასხმა, მაღალკალორიული დიეტა, ნეკროზის სტადიაში — ქირურგ. ოპერაცია. პროფილაქტიკა: პირადი ჰიგიენის დაცვა.

კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე (1867, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის რ-ნი—31. III. 1939, თბილისი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი) და საზოგადო მოღვაწე. საქ. სსრ ხელოვნების დამს. მოღვაწე (1938). ბავშვობაში მღეროდა თბილ. სიონის ეკლესიისა და ლ. *აღნიაშვილის* გუნდებში (1884—85), ხოლო სომღერაში მეცადინეობდა ქართ. გუნდის ხელმძღვანელ ი. რატილოვთან. 1889—91 სწავლობდა მოსკ. ფილარმონიის მუს.-დრამ. სასწავლებელში ვოკალურ და თეორ. განყებებზე. ამ წლებშივე ქართ. ხალხური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით მოსკოვში დააარსა ქართ. მუსიკის საღამოები, რ-ებშიც მონაწილეობდა როგორც მომღერალი და გუნდის დირიჟორი. 1891 მოსკოვში წაიკითხა მოხსენება „ქართული მუსიკის რაობა და ქართული მუსიკალური საკრავები". 1895 დაბრუნდა თბილისში. ამ პერიოდში შექმნა პირველი ნაწარმოებები — რომანსები „შევიშრობ ცრემლსა" და „ლამაზო ქალო". 1896-იდან ოპერის თეატრის სოლისტია, 1905-იდან—რეჟისორი. ვ. გუნიასთან ერთად პირველად თარგმნა ქართ. ენაზე „სევილიელი დალაქისა" და „დემონის" ლიბრეტოები; ეს ოპერები კ-მა თვითონვე დადგა და ბარტოლოსა და სინოდალის პარტიებიც შეასრულა. კ-მა თარგმნა ქართულად აგრეთვე ოპერების — „პიკის ქალის", „ფაუსტის", „ტრავიატას", „რიგოლეტოს", „ბალ-მასკარადის", „ოტელოსა" და „ბოჰემის" ლიბრეტოები. მან აქტ. მონაწილეობა მიიღო საქართვ. ფილარმონიული საზ-ბის დაარსებასა (1903) და შემდგომ მუშაობაში. 1908 კ-მა გამოსცა თავისი შეკრებილი ქართ. პოეტური ფოლკლორის ნიმუშები. მის ფოლკლორისტულ მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ ა. წერეთელი, ა. ხახანაშვილი. 1910 დაარსა ქართ. საგუნდო საზ-ბა. 1910-იდან ასწავლიდა სიმღერასა და მუსიკას თბილ. სას. სემინარიაში, 1922—25 მუს. ისტორიასა და თეორიას თბილ. კონსერვატორიაში. კ-მა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ქართ. რომანსის ნიმუშები. მისი ნაწარმოებების საფუძველს წარმოადგენს ქართ. ქალაქური ფოლკლორი. მას ეკუთვნის მრავალი საგუნდო ნაწარმოები. გამოაქვეყნა ქართ. ხალხ. სიმღერების 3 კრებული (1890, 1909, 1921 — „ქართული საბავშვო სიმღერები"). კ-ის ნაშრომებია: „ქართული მუსიკის შესახებ" (მოსკოვი, 1893), „მოკლე ნარკვევი ქართულ მუსიკაზე" (1901), „მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედია" (1933) და მრავალი სტატია.

ლიტ.: არაგვიშვილი დ., ია კარგარეთელი, «ლიტერატურა და ხელოვნება», 1945, № 14, გავაშელი ლ., ია კარგარეთელი, თბ., 1959; ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი, თბ., 1946.

კარგარეთლები, ქართველი კალიგრაფები, სვიმონი (XVI ს.), ილეწოდა სამხრ. საქართვ. სავანეებში. მისი სახელი იხსენიება 1233-ით დათარიღებული ხელნაწერის (საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი A—85) ერთ ანდერძში. როგორც ჩანს, მას აღუდგენია ეს ხელნაწერი. 1541 გადაუწერია პოლემიკურ-დოგმატიკური და სამეცნ. კრებული (S—312). ეს 108-ფურცლიანი მცირე ზომის წიგნი (22,8×16,8 *სმ*) გადაწერილია ნუსხურით, შავი მელნით, ერთ სეეტად, არაჩვეულებრივად წვრილი ასოებით. წიგნი მაღალი კალიგრაფიული ოსტატობის ნიმუშია. ასევე მაღალმხატვრულ დონეზე დგას სვიმონის მიერ გადაწერილი დიდი ფორმატის (2 ტომად შეკრული) გულანი (ხელნაწერთა ინ-ტი, A—197). ივსეს (XVII ს.) გადაწერილია სადღესასწაულო (ხელნაწერთა ინ-ტი, H—1018). ეს მოზრდილი წიგნია (28×19,7 *სმ*, 364 ფურცელი), ხელნაწერი ორსეტოვანია, შესრულებულია ნუსხურით, შავი მელნით. სინგური ტრადიციულადაა გამოყენებული, თავსამკაულები ვერ არის მაღალ დონეზე შესრულებული, მაგრამ ნაწერი ბრწყინვალე კალიგრაფიული ოსტატობით გამოირჩევა. ხელისა და თავსამკაულის მიხედვით ნამუშევარს XVII ს-ით ათარიღებენ. ამბროსე გაბრიელის ძე მონაწილეობდა ბედიის გულანის (A—187) გადაწერაში გაბრიელ ლომსიანისძესა და საბა ნაჭოფაძესთან ერთად. ამბროსეს ხელითაა ნაწერი 130—194 და 582—610 ფურცლები. იგი შესანიშნავი ოსტატი ყოფილა, ნუსხურით მწერალთაგან ერთ-ერთი საუკეთესო.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

კარგინი ვალენტინ ალექსის ძე [10 (23). I. 1907, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი, — 21. X. 1969, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1966). დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი (1930); მუშაობდა ლ. კარპოვის სახ. ფიზ.-ქიმ. ინ-ტში (1930) და მოსკ. სახელმწ. უნ-ტში (1956—69). კ-ის ძირითადი შრომები მიძღვნილია კოლოიდური სისტემებისა და განსაკუთრებით მაღალმოლეკულური ნაერთების ფიზ. ქიმიისადმი. შეისწავლა სარეაქციო არის სტრუქტურული მახასიათებლების როლი მაკრომოლეკულების წარმოქმნაში. 1956 მოსკ. სახელმწ. უნ-ტში დააარსა სსრკ-ში პირველი მაღალმოლეკულურ ნაერთთა კათედრა. ლენინური პრემია (1962), სსრკ სახელმწ. პრემია (1943, 1947, 1950, 1969). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Краткие очерки по физико-химии полимеров, 2 изд., М., 1967 (თანაავტ.: Г. Л. Слонимский).

ლიტ.: Валентин Алексеевич Каргин, М., 1960 (Материалы к биобиблиографии ученых СССР. Серия химических наук, в. 29).

კარდამონის მთები, მთები ინდოეთის სამხრ-ით, დას. გატების სამხრ. ნაწილში. სიმაღლე 2019 *მ*-მდე (მთა კოტაიმალაი). უმთავრესად აგებულია ვნაისებითა და კრისტ. ფიქლებით. კალთები ციცაბოა და ღრმა ხეობებით არის დანაწევრებული. შემოსილია ნოტიო ტროპ. ტყით. არის ჩაისა და კაუჩუკის პლანტაციები.

კარდანახი, სოფელი გურჯაანის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ბაკურციხე—წნორის საავტ. გზაზე. რკინიგზის სადგური. სოფსაბჭო. ზ. დ. 510 *მ*, გურჯაანიდან 14 *კმ*. მევენახეობის საბჭ. მეურნეობა, ღვინის ქ-ნა. დაწყ., საშ., საღამოს (ცვლიანი) და სამუსიკო სკოლები, საბავშვო სახლი, კულტსახლი, კლუბი (კინოდანადგარი), 5 ბ-კა, საავადმყოფო, საფერშლო-სამეანო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმა, ვანყ-ბა.

სოფელში შემორჩენილია XIII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — საბაწმინდის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა ჩახაზული ჯვრის ტიპისაა. აღმ. და დას. მკლავები წაგრძელებულია. ეკლესია აგურით არის ნაშენი, აქა-იქ მოჩანს რიყის ქვა და შირიმი. გარედან მოპირკეთებულია სუფთად გათლილი შირიმის ქვის სწორი რიგებით. ფასადების მორთულობა სადაა. შენობა დაზიანებულია. მის მახლობლად *სამეკლესიანი ბაზილიკის* ნანგრეკები. იგი შედგებოდა ერთმანეთთან კარებით დაკავშირებული სამი ნავისაგან ერთი საერთო შესასვლელით. ნაგები იყო რიყის ქვით, გამოყენებულია შირიმიც (იმპოსტები).

კარდანო (Cardano) ჯეროლამო (ჯერონიმო) [24. IX. 1501 (სხვ. მონაცემებით, 1506), პავია, — 21. IX. 1576, რომი], იტალიელი ფილოსოფოსი, ექიმი,

და მათემატიკოსი. დაამუშავა კოსმოლოგიური სისტემა. კ-ს ნატურფილოსოფია წარმოადგენს ასტროლოგიის, ალქიმ., მედ., ფიზ., მათ., საინჟინრო საქმის, ფსიქოლ. და სხვ. დარგებში მისი მრავალმხრივი სამეცნ. მოღვაწეობის საფუძველსა და საბოლოო სინთეზს. კ-ს შრომებმა დიდი როლი ითამაშა ალგებრის განვითარებაში. მის სახელთან არის დაკავშირებული არასრული კუბური განტოლების ამოხსნის ფორმულა (იხ. *ალგებრა*). შეიმუშავა მოძრაობის გადაცემის საკითხები (იხ. *კარდანული გადაცემა, კარდანული მექანიზმი*).

კარდანული გადაცემა ავტომობილისა (სახელწ. მოდის ჯ. *კარდანოს* სახელიდან), მოწყობილობა, რ-იც წამყვანი ლილვიდან ბრუნვას გადასცემს ამყოლ ლილვს (ლილვები ერთმანეთის მიმართ კუთხითაა განლაგებული). ავტომობილებში კ. გ-ს (ნახ. 1) იყენებენ ძრავასა და გადაცემათა კოლოფის (კუთხე 5°-მდე). გადაცემათა კოლოფისა და მანაწილებელი კოლოფის (კუთხე 5°-მდე), აგრეთვე გადაცემათა კოლოფის (მანაწილებელი კოლოფისა) მთავარი გადაცემის მექანიზმთან (კუთხე 15°-მდე) შესაერთებლად, საჭეურ ამძრავში და სხვ. კ. გ-ის



ნახ. 1. ავტომობილის კარდანული გადაცემის სქემა: 1—გადაცემათა კოლოფი; 2—კარდანი; 3—მოსრიალე შლიციანი შეერთება; 4—კარდანის ლილვი; 5—მთავარი გადაცემის მექანიზმი.



ნახ. 2. სრული კარდანი: 1—ჩანგალი; 2—ჯვარედის პოშოჭიკის საყრდენი; 3—სახურავი; 4—ჯვარედი.

მთავარი ნაწილია ორკარდანიანი (იშვიათად ერთკარდანიანი) კარდანის ლილვი. ლილვებს შორის არსებული კუთხის შესაბამისად კ. გ-ში შეიძლება გამოიყენონ ისტი ან დრეკადი ნახევრად კარდანი, რატოლი კუთხური სიჩქარის ან ტოლი კუთხური სიჩქარის სრული კარდანი. უფრო მეტად გავრცელებულია სრული კარდანები (ნახ. 2). ერთი კარდანის მქკ-ია 0,985—0,99.

კარდანული მექანიზმი, კარდანი, კარდანული ანუ უნივერსალური სახსარი, სახსრული ურო, მექანიზმი, რ-იც უზრუნველყოფს ერთმანეთის მიმართ ცვლადი კუთხით განლაგებული ორი ლილვის ბრუნას წევრების მოძრავი შეერთების (ხისტი ., მ.) ან სპეც. დრეკადი ელემენტების დრეკადი კ. მ.) მეშვეობით. სახელწ. მიღო ჯ. *კარდანოს* სახელიდან. მარტივი მ. წარმოადგენს ე. წ. ჰუკის სახსარს (ნახ. 1). I, II, III, IV ბრუნვის ღერძები $OB=OB'=OC=OC'$ რადიუსთან



ნახ. 1. ჰუკის სახსრის სქემა: 1,2—ჩანგლები; —ჯვარედი; B, B′ და C, C′—სახსრები; I, II, III, IV—ბრუნვის ღერძები.

სფეროს O ცენტრში α კუთხით გადაიკვეთებიან, ამიტომ $0° \leq \alpha < 90°$ ზღვრებში α-ს ნებისმიერი მნიშვნელობის დროს B, B' და C, C' სახსრები I და II ღერძების პერპენდიკულარულ სიბრტყეებში წყვილ-წყვილად შემოწერენ ამავე რადიუსის წრეწირებს. ამ პირობებში ბრუნვითი მოძრაობის გადა-



ნახ. 2. ჰუკის ორმაგი სახსრის სქემა: 1—წამყვანი ლილვი; 2—შუალედური ლილვი; 3—ამყოლი ლილვი; A,B—უნივერსალური სახსრები.

ცემა შესაძლებელია ცვლადი α კუთხისას. ამ თვისების გამო კ. მ-ს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა მანქანებში: საფრენ აპარატებსა და ხელსაწყოებში, ჩარხებსა (სახსრული ქურო) და ავტომობილებში (*კარდანული გადაცემა*), სას.-სამ. მანქანებში და სხვ. მარტივი კ. მ-ის ნაკლია ამყოლი ლილვის ბრუნვის სიჩქარის არათანაბრობა წამყვანი ლილვის მუდმივი ბრუნვის სიჩქარის დროს. ამყოლი ლილვის ბრუნვის სიჩქარე მით უფრო არათანაბარია, რაც უფრო დიდია α კუთხე. თუ $\alpha=90°$, ბრუნვითი მოძრაობის გადაცემა მარტივი კ. მ-ით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, აგრეთვე მაშინ, როცა აუცილებელია ამყოლი ლილვის თანაბარი ბრუნვა, მიზანშეწონილია ორმაგი კ. მ-ის



ნახ. 3. კარდანული მექანიზმი, რომლის მოქმედების პრინციპი ემყარება ლილვებს შორის კუთხის ბისექტორული სიბრტყით გაყოფას. 1, 5—ერთ სიბრტყეში მდებარე ლილვები გადაკვეთისას ქმნიან კუთხეს; 2—მიმმართველი თითი, რომელიც ლილვების ღერძებს შორის კუთხის ცვლილებისას აკონტროლებს სეპარატორს; 3—სეპარატორი; 4—ბურთულები ბისექტორულ სიბრტყეში.

(ნახ. 2) გამოყენება, რ-შიც α_1 და α_2 კუთხეები ტოლია, ხოლო ჩანგლები ღერძზე (2) ერთ სიბრტყეშია განლაგებული. თუ ორმაგი კ. მ-ის გამოყენება შეუძლებელია (ადგილის სიმცირის გამო), იყენებენ კარდანს, რ-ის მოქმედების პრინციპი ემყარება ლილვებს შორის კუთხის ბისექტორული სიბრტყით გაყოფას (ნახ. 3). ორმაგი ხისტი კ. მ-ის ლილვების დახრის კუთხე შეიძლება აღწევდეს 38°. თუ ლილვები 3—5°-ით არის დახრილი, იყენებენ დრეკად კ. მ-ს (ნახ. 4), რ-ის დრეკად ელემენტებს



ნახ. 4. დრეკადი კარდანული მექანიზმი: 1—მაცენტრებელი ბურთულიანი თითი; 2, 4—ლილვები; 3—დრეკადი ელემენტები.

მტკიცე ელასტიკური მასალისაგან ამზადებენ.

კარდენას ი დელ რიო (Cárdenas y del Rio) ლასარო (21. V. 1895, მიჩოაკანის შტ., — 19. X. 1970, მექსიკის სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა ფეიქარი ხელოსნის ოჯახში. 1913-იდან მონაწილეობდა მექსიკის 1910—17 რევოლუციაში. 1934—40 მექსიკის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა სარკინიგზო ტრანსპორტის (1937) და ხავთობის მრეწვ. (1938) ნაციონალიზაცია. კ-მ დაიწყო აგრ. რეფორმის გატარება. იბრძოდა კათოლ. ეკლესიის გავლენის წინააღმდეგ. 1949-იდან აქტიურად მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა საერთაშ. მოძრაობაში. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1955). 1969-იდან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო პრეზიდენტი.

კარდიგანი (Cardigan Bay), ყურე ირლანდიის ზღვაში, დიდი ბრიტანეთის დას. ნაპირთან (უელსი). სიგრძე 56 *კმ*, სიგანე დაახლ. 102 *კმ*, სიღრმე 56 *მ*-მდე. ნაპირები კლდოვანია. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 8 *მ*-მდე. კ-ის ნაპირებზეა ნავსადგურები ფიშგარდი და პორტმედოკი.

კარდინალი (ლათ. cardinalis — მთავარი), კათოლიკურ ეკლესიაში უმაღლესი სასულიერო პირი რომის პაპის შემდეგ. ეკლესიას პაპთან ერთად მართავს კ-თა კოლეგია (სათავეში უდგას დეკანი). ლატერანის საეკლ. კრების (1179) დადგენილებით, კ-თა კოლეგია ირჩევს პაპს, კ-ებს კი ნიშნავს პაპი. სიქსტუს V-ის დადგენილებით (1586), კ-თა რაოდენობა 70-ს არ უნდა აღემატებოდეს. XX ს. შუა წლებამდე კ-ებად უმეტესად იტალიელებს ირჩევდნენ. პაპებმა იოანე XXIII-მ და პავლე VI-მ კ-თა რაოდენობა გაზარდეს: 1969 კ-თა კოლეგიაში 131 წევრი შედიოდა, მ. შ. იყვნენ ეპისკოპოსები აზიისა და აფრ. ქვეყნებიდან. რომში მცხოვრები კ-ები (კურიის კ-ები) ხელმძღვანელობენ ვატიკანის ცენტრ. ორგანოებს — კონგრეგაციებს, ტრიბუნალებს და სხვ. იერარქიულად კ-ები 3 ხარისხად იყოფიან: კ.-ეპისკოპოსები, კ.-პრესვიტერები, კ.-დიაკვნები. პავლე VI-ის კანონით (1970), 75 წელს მიღწეული კ. პენსიაზე გადის (წოდების შენარჩუნებით), ხოლო 80 წლისა რჩება კოლეგიის წევრად, მაგრამ კარგავს უფლებას იყოს რომის კურიის წევრი და მონაწილეობა მიიღოს ახ. პაპის არჩევაში.

კარდინალი (Cardinalis cardinalis), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 20 *სმ* აღწევს. აქვს მსხვილი, კონუსისებური ნისკარტი, თავზე—ქოჩორი. გავრცელებულია ჩრდ. ამერ. სამხრ. ნაწილში, ცენტრ. და სამხრ. ამერ. ჩრდ. ნაწილში. ბინადრობს ტყეებსა და ბაღებში. სარეველწ. მამლის წითელი (კარდინალის მანტიისფერი) შეფერილობის გამო მიიღო; დედალი მურა ფერისაა, დებს 3—4 კვერცხს, კრუხობს 2 კვირამდე. კ. იკვებება მწერებით, მცენარეებით, მცენარეთა თესლითა და მარცვლებით.

რ. ჭორდანია.

კარდინალური რიცხვი (ლათ. cardinalis—მთავარი), სხვაგვარად რაოდენობრივი რიცხვი ანუ სიმძლავრე. იხ. *რიცხვი, სიმრავლეთა თეორია.*

კარდიო... (<ბერძნ. kardia — გული), რთული სიტყვის ნაწილი; მიუთითებს გულთან კავშირზე, მაგ., კარდიოგრამა, კარდიოგრაფია.

კარდიოდი, მე-4 რიგის ალგებრული წირი.

კარდიოლოგია (*კარდიო...* და... *ლოგია*), მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის გულისა და სისხლძარღვების აგებულებასა და ფუნქციას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მექანიზმსა და მიზეზებს, კლინიკურ გამოვლინებებსა და

დიაგნოსტიკას, აგრეთვე პროფილაქტიკის, მკურნალობისა და სამედ. რეაბილიტაციის მეთოდებს. კ-ის განვითარებას განაპირობებს მოსაზღვრე დარგების—თერაპიის, ქირურგ., პედიატრიის, ნეიროპათოლ., ფიზიოლ., ანატ., პათოლოგანატ., ფარმაკოლ. მიღწევები.

ცალკეულ ცნობებს ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემის აგებულებაზე უძველეს წყაროებში ვხვდებით. სისხლის მიმოქცევის პირველი სქემა II ს-ში შეადგინა კ. *გალენოსმა*. XVII ს-ში ეს სქემა უარყო ინგლ. ექიმმა უ. *ჰარვეიმ*, რ-მაც აღმოაჩინა სისხლის მიმოქცევის კანონები. XVII—XIX სს-ში შეისწავლეს გულის გვირგვინოვანი სისხლის მიმოქცევა, გულის ცალკეული მანკები, გულის ანგინა. გულის დაავადებათა დიაგნოსტიკა მნიშვნელოვნად გაადვილდა მას შემდეგ, რაც რ. ლაენეკმა შემოიღო *აუსკულტაციის* მეთოდი. XIX ს-ში გულ-სისხლძარღვთა სისტემის ანატ.-ფიზიოლ. შესწავლას დიდი ამაგი დასდეს ჩეხმა ფიზიოლოგმა ი. პურკინემ (1939), გერმ. ექიმმა ვ. ჰისმა (1890—94), გერმ. პათოლოგმა კ. *ა̈შოფმა*, იაპ. პათოლოგმა ს. ტავარამ, ინგლისელებმა ა. კისმა და მ. ფლეკმა (1907). რუსეთში კ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ს. *ბოტკინს*. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში შემოიღეს კვლევის ახ. მეთოდები: 1903 ჰოლანდ. მეცნ. *ეინტჰოვენმა* ჩაწერა გულის ბიოდენები (იხ. *ელექტროკარდიოგრაფია*); 1905 რუსმა მეცნ. ნ. კოროტკოვმა შემოიღო არტერიული წნევის გასაზომი აკუსტიკური მეთოდი. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დიაგნოსტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გულის რენტგენოსკოპიისა და რენტგენოგრაფიის, კონტრასტული ანგიოგრაფიის, რენტგენო- და ელექტროკიმოგრაფიის, ბალისტოკარდიოგრაფიისა და სხვ. ახ. მეთოდების შემოღებასა და დანერგვას.

კლინიკური კ-ის ფუძემდებლად ითვლება ინგლ. ექიმი ჯ. მეკენზი. კ-ის განკითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფრანგი ექიმის ა. იუშარის, ინგლ. ტ. ლუისის, უ. პიკერინგის, გერმ. ე. რომბერგის, ამერ. უ. ოუზლერის და მრავალი სხვ. მეცნიერის ნაშრომებს. რუსეთში ვ. ობრაზცოვმა და ნ. სტრაჟესკომ აღწერეს გულის გვირგვინოვანი არტერიების თრომბოზისა და გულის კუნთის ინფარქტის კლინიკა; გ. ლანგმა დაამუშავა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა კლასიფიკაცია. ნ. სტრაჟესკომ და ვ. ვასილენკომ ჩამოაყალიბეს სისხლის მიმოქცევის უკმარისობის კლასიფიკაცია, ნ. ანიჩკოვმა და ს. ხალატოვმა კი — ათეროსკლეროზის განვითარების ქოლესტერინული თეორია.



კარდიფი. ქალაქის ხედი. წინა პლანზე—ციხე-დარბაზი და საზოგადოებრივი ცენტრი.

ამჟამად უკვე ცნობილია ნერვული რეგულაციისა და ჰუმორული მოშლის როლი ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებისა და კორონარული უკმარისობის აღმოცენებასა და განვითარებაში. დიდი წვლილი შეიტანეს კ-ის შემდგომ განვითარებაში საბჭ. მეცნიერებმა ე. ტარეევმა, ა. მიასნიკოვმა, გ. ლანგმა, მ. ვოვსიმ, ვ. ზელენინმა, დ. პლეტნიოვმა, ვ. ტალალაევმა, მ. წინამძღვრიშვილმა, ა. სტრუკოვმა, მ. კონჩალოვსკიმ, და სხვ., აგრეთვე საბჭ. ქირურგებმა ა. ბაკულევმა, ბ. პეტროვსკიმ, პ. კუპრიანოვმა, ა. ვიშნევსკიმ, ნ. ამოსოვმა, ე. მეშალკინმა, ვ. ბურაკოვსკიმ და სხვ.

1963 შეიქმნა კარდიოლოგთა საკავშ. საზ-ბა, რ-იც შედის კარდიოლოგთა საერთაშ. და ევრ. ასოციაციებში; არსებობს აგრეთვე რესპ. საზ-ბები. კ-ის საკითხები შუქდება ჟურნ. „Кардиология"-ში (1961-იდან, მოსკოვი) და სხვა სამედ. პერიოდიკაში.

სსრკ-ში კ-ის დარგში გამოკვლევები ტარდება სსრკ მედ. მეცნ. აკად. ა. მიასნიკოვის სახ. კ-ის ინ-ტში, სსრკ მედ. მეცნ. აკად. რევმატიზმის ინ-ტში, სსრკ მედ. მეცნ. აკად. ა. ბაკულევის სახ. გულსისხლძარღვთა ქირურგ. ინ-ტში, სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერ. და კლინიკური ქირურგ. ინ-ტში, სსრკ მედ. მეცნ. აკად. ს. ვიშნევსკის სახ. ქირურგ.ინ-ტში, რსფსრ ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის მიმოქცევის პათოლ. ინ-ტში (ნოვოსიბირსკი), ფარმაკ. და ქიმიოთერაპიის ინ-ტში, კ-ისა და გულის ქირურგ. ინ-ტში (ერევანი) და სხვ.

საქ. სსრ-ში კ-ის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მ. წინამძღვრიშვილის მოღვაწეობასთან; მისი თაოსნობით 1946 თბილისში შეიქმნა სსრკ-ში პირველი კ-ის ინ-ტი (მ. წინამძღვრიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერ. კ-ის ინ-ტი). ამჟამად საქართველოში კ-ის პრობლემებს შეისწავლიან *ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში*, თბილ. სახელმწ. სამედ. და ექიმთა დახელოვნების ინ-ტების თერაპიისა და სხვ. კათედრებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არტერიული ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და გულის კუნთის ინფარქტის პრობლემების დამუშავებას. 1961 შეიქმნა საქართვ. კარდიოლოგთა სამეცნ. საზ-ბა. საქართველოში მეცნ. კ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ი. ჯავახიშვილმა, თ. მამალაძემ, ი. ცინცაძემ, გ. მათეშვილმა და სხვ.

ლიტ.: Зеленин В. Ф., Болезни сердечно-сосудистой системы, М., 1956; Ланг Г. Ф., Болезни системы кровообращения, М., 1958; Парин В. В., Меерсон Ф. З., Роль и задачи экспериментальной кардиологии, «Вестник АМН СССР», 1961, № 5. *ვ. ქავთარაძე.*

კარდიოსკლეროზი (*კარდიო*... და *სკლეროზი*), გულის კუნთის პათოლოგიური მდგომარეობა, რ-ის დროსაც კუნთოვანი ქსოვილის ადგილს იკავებს შემაერთებელი ქსოვილი. კ. შეიძლება იყოს დიფუზური და კერავანი. კერავანი კ. ვითარდება *გულის კუნთის ინფარქტის* შედეგად. კ-ის ერთ-ერთი მთავარი და ადრეული სიმპტომია ქოშინი (დაავადების დასაწყისში ფიზ. დატვირთვისას, მოგვიანებით — მოსვენების დროსაც). დაავადების განვითარებასთან ერთად ვლინდება გულის უკმარისობის ნიშნები: აჩქარებული მაჯისცემა, ფეხების შეშუპება, ღვიძლის გადიდება, ფილტვის სისხლძარღვებში სისხლის შეგუბება, ხუთვის შეტევები. კ-ის ხშირი სიმპტომებია გულის რიტმის დარღვევა (*ექსტრასისტოლა*, მოციმციმე არითმია და სხვ.), შეიძლება განვითარდეს გულის მანკი.

მკურნალობა: გულის კუნთის სისხლით მომარაგების გაუმჯობესება (სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალებანი, ანტიკოაგულანტები); გულის უკმარისობისა (სტროფანტინი, სათითურას პრეპარატები, შარდმდენი საშუალებანი და სხვ.) და არითმიის (ქინიდინი, ნოვოკაინამიდი და სხვ.) ლიკვიდაცია.

კარდიოსპაზმი (ბერძნ. kardia — აქ. კუჭის შესავალი და *სპაზმი*), იმ ადგილის სპაზმი, სადაც საყლაპავი მილი უერთდება კუჭს. გამომწვევი მიზეზები დადგენილი არ არის; დიდი მნიშვნელობა აქვს ცთომილი ნერვის ფუნქციის მოშლას, რაც აქვეითებს საყლაპავის პერისტალტიკურ აქტივობას და ხელს უშლის კუჭის შესავლის გახსნას. დაავადება უმეტესად 20—40 წლის ასაკში ვლინდება. იწყება დისფაგიით (ყლაპვის გაძნელება); გადაყლაპული საკვების შეჩერება იწვევს საყლაპავის გაგანიერებას იმ ადგილის ზემოთ, სადაც ხდება სპაზმი. კ-ის დროს გულის კოჭზთან ხშირად აღინიშნება მუდმივი ან მოვლითი ყრუ ტკივილი, რ-იც კისერში ან გულის მიდამოში ვრცელდება. კ-მა შეიძლება გამოიწვიოს ავადმყოფის დაუძლურება.

მკურნალობა: ჰიგიენური რეჟიმის დაცვა, დიეტა, დაწოლის წინ თბილი წყლით ან გვირილის ნაყენით საყლაპავის ამორეცხვა, სპაზმოლიზური საშუალებანი და სხვ. უშედეგო კონსერვატული მკურნალობის დროს — ქირურგ. ოპერაცია.

კარდისის საზავო ხელშეკრულება 1661, დაიდო რუსეთსა და შვეიცარიას შორის სოფ. კარდისში, დერპტის მახლობლად. კ. ს. ხ-მ რუსეთ-შვეიცარ. 1656—58 ომი ე. წ. „საუკუნის ზავით" დაასრულა. 1659—62 რუს. ჯარის კრაერთმა დამარცხებამ პოლონელებთან და პოლონეთ-შვეიცარ. 1660 საზავო ხელშეკრულებამ არახელსაყრელ პირობებში ჩააყენა რუსეთი, რ-იც იძულებული გახდა შვეიცარიისათვის დაეთმო ესტლანდიისა და ლიფლანდიის ქ-ები. რუსეთსა და შვეიცარიას შორის აღდგა 1617 სტოლბოვოს ზავით გათვალისწინებული საზღვარი, კ. ს. ხ-მ საშუალება მისცა რუსეთს განეგრძო ომი პოლონეთთან უკრაინისა და ბელორუსიისათვის, რადგან შვეიცარიამ ვალდებულება იკისრა არ დახმარებოდა პოლონეთს.

კარდიფი (Cardiff), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, უელსის დედაქალაქი. გაშენებულია ბრისტოლის ყურის ნაპირზე, მდ. ტეფის შესართავთან. 282 ათ. მცხ. (1976). შედის სამხრ.-აღმ. უელსის კონურბაციაში. დიდი სამრეწვ. ცენტრი, სატრანსპ. კვანძი. ქვეყნის მნიშვნელოვანი ნავსადგური (შეაქვთ იმპორტული რკინის მადანი, ნედლეული და სურსათი). განვითარებულია შავი მეტალურგია, სხვადასხვა სახის მანქანათმშ., მ. შ. ავტომშენებლობა და გემების რემონტი. კვებისა და პოლიგრ. მრეწველობა. კ-ში არის უელსის უნ-ტის კოლეჯები. არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: ციხე-დარბაზი (დაახლ. 1090), ლანდაფის ტაძარი (XII—XV სს.), სენტ-ჯონის ეკლესია (XV ს.). XIX ს-იდან ქალაქი ინტენსიურად იზრდება. კრცელ გამწვანებულ ტერიტორიაზე განაშენიანებულია საზ. ცენტრი კეთპეის-პარკი (დაგეგმარებულია 1924—26), სადაც ჯგას რატუშა (1904, არქიტ. ჰ. ლანჩესტერი) მშვიდობის ტაძარი (1938, არქიტ. პ. ტომასი) და სხვ. კ-შია უელსის ეროვნ. მუზეუმი, უელსის ხალხ. მუზეუმი (ხალხური ხელოვნ. ნიმუშები). XX ს. შუა წლებში აშენდა ქალაქ-თანამგზავრი კუმბრანი (არქიტ. ჯ. უესტი).

კარდუჩი (Carducci) ჯოზუე (27. VII. 1835, ვალდიკასტელო, ტოსკანა, — 16. II. 1907, ბოლონია), იტალიელი პოეტი, ფილოლოგი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1906). მისი პოეზია უკავშირდება ეროვნ.-განმათ. მოძრაობას და გამსჭვალულია პატრ. მოტივებით. კ-ს პოეზიის წამყვანი თემა— სამშობლო — თვალსაჩინოა ჯერ კიდევ მის „ჭაბუკურ ლექსებში" (1850—60), რ-ებიც დაწერილია კლასიციზმის ტრად. ფორმით. შემდგომ ლექსებში პოლიტ. თემა ფილოს. განზოგადებას აღწევს, კონკრეტული მაღლდება სიმბოლურ კატეგო-



სტ. კაკაბაძე დ. (I). „იმერეთი—ლეკანეთი". 1918.
საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.





სტ. *კაკაბაძე* დ. (II). **1.** „იმერეთი". 1919. **2.** სვანეთი". 1939. **3.** „ძველი თბილისი". 1918. **4.** ავტოპორტრეტი რუხი ხალათით. 1917. **5.** „კოჯორი". 1944. **6.** „პარიზი. ქუჩა". 1920-იანი წწ. **7.** „პარიზი. ბულვარი". 1920. **8.** „პარიზი. ხიდი". 1920-იანი წწ. (1,2,3,5,7—საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი; 4,6,8, — მხატვრის ოჯახის კუთვნილება).

რიამდე) (პოემა „სატანისადმი", 1863; კრებ. „იამბები და ეპოდები", 1867—79 და სხვ.). 80—90-იანი წლების კრებულებისათვის ნიშანდობლივია ანტ. თემების გამოყენება. კ. ფილოლოგს ე. წ. ისტ. სკოლას მიიაკუთვნებენ. მნიშვნელოვანია მისი „პირველი საუკუნეების იტალიური ლიტერატურის გამოკვლევები. ტრუბადურები და რაინდობა", სტატიები დანტეს, ბოკაჩოს, პეტრარკას შესახებ, „ეროვნული ლიტერატურის განვითარების შესახებ" და სხვ.

თხზ.: Edizione nazionale delle opere di G. Cardducci, v. 1 — 30, Bologna, 1935 — 40; Избранное. [Стихи], М., 1958.

ლიტ.: Полуяхтова И. К., История итальянской литературы. XIX в., М., 1970

კარეევი ნიკოლოზ ივანეს ძე [24. XI (6. XIII). 1850, მოსკოვი,—18. II. 1931, ლენინგრადი], რუსი ისტორიკოსი. ძირითადად მუშაობდა ახ. ისტორიაში. 1879—84-ჯერ ვარშავის, შემდეგ პეტერბ. უნ-ტის პროფესორი. 1910-იდან რუს. აკად. წ.-კორ. 1929-იდან სსრკ მეცნ აკად. საპატიო წევრი. XIIX ს. 70-იან წლებში გაეცნო მარქსის „კაპიტალს", რ-ის გავლენით დაწერა ნაშრომი „გლეხობა და საგლეხო საკითხი საფრანგეთში XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში" (1879). მ. კოვალევსკისთან და ი. ლუჩიცკისთან ერთად აღიარებულია საფრ. დიდი რევოლუციისწინა და რევოლუციისდროინდელი საფრ. აგრ. ისტორიის შემსწავლელი ე. წ. „რუსული სკოლის" თვალსაჩინო წარმომადგენელად.

თხზ.: Крестьяне и крестьянский вопрос во Франции в последней четверти XVIII века, М., 1879.

გ. კილურაძე.

კარელები (საკ. სახელწ. კარიალა), ძირითადად კარელ. ასსრ-ში, აგრეთვე კალინინის, ნოვგოროდის, ლენინგრ., იაროსლავის და რსფსრ ზოგიერთ სხვა ოლქში მცხოვრები ხალხი. საერთო რაოდ. სსრკ-ში 146 ათ. (1970, აღწერა), მ. შ. კარელ. ასსრ-ში 84 ათ. კაცი. ცხოვრობენ აგრეთვე ფინეთში. ლაპარაკობენ კარელურ ენაზე. მნიშვნელოვანი ნაწილი კარელურის გარდა ლაპარაკობს რუსულ ენაზე, ზოგიერთი ფინურზეც. მორწმუნე კ. მართლმადიდებლები არიან. კ-ის ეთნოგენეზის საწყისი ეტაპი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. IX ს-ში კ-ის წინაპრები (კორელა) ცხოვრობდნენ ლადოგის ტბის ჩრდ.-დას. სანაპიროზე. XI—XII სს-ში მათ აითვისეს თანამედროვე კარელ. ასსრ ტერიტ. დას. ნაწილი, შემდეგ კი დაიწყეს გადასვლა ჩრდილოეთით — თეთრი ზღვისაკენ და აღმ-ით — ლადოგისა და ონეგის ტბებს შუა მდებარე რ-ნებში და შეერიენენ იქ მოსახლე ვეფსების ნაწილს. კ-ის კულტ. ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს მათმა მეზობელმა რუსებმა. რუს. წყაროებში კ. პირველად 1143 იხსენიებიან. კ-ის ხალხის კონსოლიდაცია XII—XV სს-ში მიმდინარეობდა რუს. სახელმწიფოს ფარგლებში. ძირითადი საქმიანობა ჟველთაგანვე იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ტყის რეწვა, თევზჭერა, ნადირობა. ხელოსნობიდან განსაკუთრებით იყო განვითარებული მჭედლობა.

ოქტ. რევ. შემდეგ მიიღეს ეროვნ. ავტონომია — 1920 ივნისში შეიქმნა კ-ის შრომითი კომუნა, რ-იც 1923 გარდაიქმნა *კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.*

კარელი (Carrel) ალექსის (28. VI. 1873, ლიონის მახლობლად, — 5. II. 1944, პარიზი), ფრანგი ქირურგი. 1896 დაამთავრა სამედ. ფაკ-ტი ლიონში. 1904-იდან მუშაობდა ჩიკაგოს ფიზიოლ. ინ-ტში, 1906-იდან კი ნიუ-იორკის როკფელერის ინ-ტში. შემოიღო ქსოვილის ექსტრავიტალური კულტურის მეთოდი, დაადგინა წინასწარ დაკონსერვებული არტერიის გადანერგვის შესაძლებლობა, წარმატებით გადაუნერგა ერთი ცხოველის თირკმელი მეორეს, შემოიღო სისხლძარღვის გაკერვის ორიგინ. მეთოდი, სრულყო ქირურგ. ნაკერი (კ-ის ნაკერი); ჰ. დეკინთან ერთად განავითარა ღია ჭრილობის მკურნალობის მეთოდი (კარელ-დეკინის მეთოდი), მ. ლინდბერგთან ერთად შექმნა სისხლის გადასასხმელი ტუმბო, რამაც შესაძლებელი გახადა იზოლირებული ორგანოს მომარაგება სისხლითა და ჟანგბადით. ამ შრომებისათვის 1912 მიენიჭა ნობელის პრემია.



ნ. კარეევი.

კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, კარელია, შედის რსფსრ-ში. 1920 წ. 8 ივნ. შეიქმნა კარელიის შრომითი კომუნა (ავტონ. საოლქო გაერთიანება), რ-იც 1923 წ. 25 ივლ. გარდაიქმნა კარელ. ასსრ-ად. მდებარეობს სსრკ ევრ. ნაწილის ჩრდ.-დას-ში. ფართ. 172,4 ათ. *კმ²*. მოსახლ. 736 ათ. კაცი (1979), მ. შ. 78% ქალაქში ცხოვრობს. დედაქალაქი—ქ. პეტროზავოდსკი. კ-ში 17 რ-ნი, 12 ქალაქი და 45 დაბაა.

კარელ. ასსრ სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფო, ავტონ. საბჭ. რესპუბლიკაა. მოქმედი კონსტიტუცია მიიღო კარელ. ასსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ 1978 წ. 30 მაისს. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო, რ-იც ირჩევს თავის მუდმივმოქმედ ორგანოს — კარელ. ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლეს საბჭოს მოსახლ. 5 წლით ირჩევს. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო — მთავრობა, რ-საც ქმნის ავტონ. რესპ. უმაღლესი საბჭო. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია სარაიონო, საქალაქო, სადაბო და სას.-დასახ. პუნქტების შესაბამისი სახ. დეპუტატთა საბჭოები.

ბუნება. კ-ის ტერიტ. მდებარეობს ბალტიის ფარის აღმ. ნაწილის ფარგლებში. ხმელეთის ზედაპირი ბორცვიანი ვაკეა, შეიმჩნევა მყინვარების მოქმედების კვალი (მორენული სერები, ოზები, კამები, დრუმლინები, ტბის ქვაბულები და სხვ.). ყველაზე მაღალია მანსელკიის ქედი (სიმაღლე 578 *მ*-მდე) და დას. კარელიის მაღლობი. დაბლობებიდან აღსანიშნავია თეთრიზღვისპირა, ოლონეცისა და ვოდლის. თეთრი ზღვის სანაპირო შეჭრილ-შემოჭრილია. კ-ში ბევრია სასარგებლო წიაღისეული: საშენი მასალა (გრანიტი, დიაბაზი, კვარციტი, დოლომიტი, მარმარილო), პეგმატიტი, რკინის მადანი, ქვარსი.

კ-ის ჰავისათვის დამახასიათებელია



შედარებით რბილი და ხანგრძლივი ზამთარი, გრილი ზაფხული, ჰაერის მაღალი შეფარდებითი ტენიანობა. ყველაზე თბილი თვის — ივლ. საშ. ტემპ-რა 14–16°C, ყველაზე ცივის — თებერვლისა — 9-იდან — 13°C-მდე. ნალექები სამხრ.-დას-ით 600 *მმ*, ჩრდ-ით 400—500 *მმ* წელიწადში. კ. ტბების, მდ-ებისა და ჭაობების მხარეა. მდ-ები თეთრი და ბალტიის ზღვის აუზს მიეკუთვნება, მოკლეა, მაგრამ წყალუხვია და ჭორომიანი კალაპოტი აქვთ. დიდი მდ-ებია: კემი, ვიგი, კერეტი (თეთრი ზღვის აუზი); ვოდლა, სუნა, შუია (ონეგის ტბის აუზი). ტბებს უკავია ტერიტორიის 18%, უმრავლესობა ჩრდ-შია. დიდი ტბებია: ლადოგისა და ონეგის, აგრეთვე ვიგოზერო, ტოპოზერო, პიაოზერო, სეგოზერო და სხვ. გავრცელებულია ეწერი, ჭაობ-ეწერიანი და ჭაობიანი ნიადაგები. კ. მდიდარია ტყით (ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყითაა შემოსილი). ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. დიდი სარეწაო მნიშვნელობა აქვს ზღვის და მტკნარი წყლის თევზებს და გრენლანდიის სელაპს.

მოსახლეობა. კ-ის ადგილ. მოსახლეობაა *კარელები*. ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, ბელორუსები, უკრაინელები, ფინელები, *ვეფსები* და სხვ.

საშ. სიმჭიდროვეა 4,3 კაცი 1 *კმ*²-ზე (1979). ქალაქის მოსახლ. წილი გაიზარდა 13%-იდან (1913) 78%-მდე (1979). მთავარი ქ-ებია: პეტროზავოდსკი, სორტავალა, კემი, კინდოპოგა, მედვეჟიეგორსკი, ბელომორსკი, სეგეჟა.

ისტორიული ნარკვევი. ადამიანს კ-ის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლ. უცხოვრია. ახ. წ. I ათასწლ. ბოლოს კარელ. ყელზე და ჩრდ. ლადოგის-პირეთში ცხოვრობდნენ კარელები, ლადოგისა და ონეგის ტბებს შუა — ვეფსები, ჩრდ-ით — საამები. ახ. წ. IX ს.—XII ს. დასაწყისში კ. შედიოდა ძვ. რუს. სახელმწიფოში, XII ს-იდან — ემორჩილებოდა ნოვგოროდს. XII—XV სს-ში კ-ში პირველყოფილ თემურ ურთიერთობას ცვლის ფეოდალური; ძირითადად ჩამოყალიბდა კარელი ხალხი. XII ს-იდან ადმ. ცენტრი იყო ქ. კორელა (პრიოზიორსკი). XIII ს-ში შვედებმა დაიპყრეს კ-ის ნაწილი და ააგეს ციხესიმაგრე *ვიბორგი* (1293). კ-ის უდიდესი ნაწილი 1478-იდან რუს. სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. სტოლბოვოს ზავით (1617), რუსეთმა შვეციას დაუთმო კარელ. ყელი, რ-იც ნიშტადტის ზავით დაიბრუნა 1721. XVIII ს-ში კ-ის დიდი ნაწილი ჯერ პეტერბ. გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ კი — ნოვგოროდისა. 1784 შეიქმნა ოლონეცის გუბ. (ცენტრი —ქ. პეტროზავოდსკი), რ-იც 1796 გაუქმდა. აღადგინეს 1801. კ-ის დანარჩენი ტერიტ. მოხვდა ვიბორგისა და არხანგელსკის გუბერნიებში.

XVIII ს. II ნახევრიდან კ-ში ვითარდება კაპიტალ. ურთიერთობა, მაგრამ ძირითადად იგი მაინც რუს. ერთ-ერთ ჩამორჩენილ მხარედ რჩება. 1906 გაზაფხულზე პეტროზავოდსკში შეიქმნა ს.-დ.



ნანჭქერი კივაჩი.

ჯგუფი, 1907 — რსდმპ-ის კომიტეტი. 1917 თებ. რევ. შემდეგ კ-ში, დროებითი მთავრობის ორგანოების გვერდით, ჩამოყალიბდა საბჭოები. 1917 ნოემბ. — 1918 აპრილში კ-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა, მაგრამ 1918 გაზაფხულსა და ზაფხულში კ-ის ჩრდ. ნაწილი დაიპყრეს ინტერვენტებმა (თეთრფინელები, ინგლ.-საფრ.-ამერ. ჯარები). 1919 დამდეგს ინტერვენტებმა სცადეს გაჭრილიყვნენ პეტროგრადისკენ და დახმარებოდნენ გენ. იუდენიჩს, მაგრამ წითელი არმიის ნაწილებმა ონეგის ფლოტილიის მეზღვაურებთან და მშრომელთა რაზმებთან ერთად დაამარცხეს და უკუაგდეს ისინი. 1920 თებ.-მარტში წითელმა არმიამ მთლიანად გაათავისუფლა კ.

1920 წ. 8 ივნ. სრულიად რუს. ცაკმა მიიღო დეკრეტი კარელებით დასახლ. ტერიტორიაზე კარელ. შრომითი კომუნის (კშკ) შექმნის შესახებ. 1921 თებ-ში შედგა სრულიად კარელ. საბჭოების I ყრილობა, სექტ-ში ჩამოყალიბდა რსდმპ-ის კარელ. საოლქო კომიტეტი. დაიწყო სახ. მეურნ. განვითარება, რასაც ხელი შეუშალა 1921 თეთრფინელების ინტერვენციამ. მათი განდევნის შემდეგ კშკ 1923 წ. 25 ივლ. გარდაიქმნა კარელიის ასსრ-დ. საბჭ. ხელისუფლების პირველსავე წლებში კარელ. ასსრ-ში გაიშალა ინდუსტრიალიზაცია, II ხუთწლედის ბოლოს დასრულდა კოლექტივიზაცია. 1937 ივნ-ში კ-ის საბჭოების XI ყრილობამ მიიღო რესპ. კონსტიტუცია. საბჭ. კავშირ-ფინეთის ომის (1939—40) შემდეგ კარელ. ასსრ გარდაიქმნა კარელია-ფინეთის სსრ-დ (1940 წ. 31 მარტი). დიდი სამამულო ომის დროს რესპ. ტერიტ. დიდი ნაწილი ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა და თეთრფინელთა ჯარების მიერ. 1944 ივლ. ბოლოს საბჭ. ჯარებმა კ. მთლიანად გაათავისუფლეს. საბჭ. არმიის რიგებსა და პარტიზ. რაზმებში იბრძოდა 100 ათ-ზე მეტი კარელი. მ. შ. 26 კაცს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება.

1956 წ. 16 ივნ. კარელია-ფინ. სსრ გარდაიქმნა კარელ. ასსრ-დ. 1965 რესპუბლიკა დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1970— ოქტ. რევ. ორდენით, 1972 — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სახალხო მეურნეობა. კ. სწრაფად მზარდი ინდუსტრ.-აგრ. ავტონ. რესპუბლიკაა. მუშაობს 250-ზე მეტი სამრეწვ. საწარმო. მრეწვ. ძირითადი დარგებია: ხე-ტყის დასამზადებელი, ხის დასამუშ., ცელულოზა-ქაღალდის, მანქანათაშშ. და ლითონდასამუშ., საშენ მასალათა წარმოება, ელექტროენერგეტიკული და თევზის მრეწველობა. ენერგეტ. საფუძველს წარმოადგენს საბჭ. ხელისუფლების წლებში აგებული ჰესები (მდ-ებზე სუნა, ვიგი, კემი და სხვ.).

ხე-ტყის გაზიდვის საკავშ. მოცულობის 5% კ-ზე მოდის. განვითარებულია ხის დასამუშ. მრეწვ. მრავალი დარგი (პეტროზავოდსკი, ბელომორსკი, მედვეჟიეგორსკი, ლეტნერეჩენსკი, სეგეჟა, ლახდენპოხია და სხვ.). კონდოპოგასა და სეგეჟაში არის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატები. კარელ. ასსრ უშვებს ცელულოზის საკავშ. წარმოების 11%-ს, ქაღალდის თითქმის 16%-მდე, ქაღალდის პარკების 49%-ს. ვითარდება ლითონდამუშ., მანქანათმშ. და მეტალურგია. რეკონსტრუირებულია ონეგის სატრაქტორო ქ-ნა (პეტროზავოდსკი), არის გემთსაშენი ვერფები (პინდუში და პეტროზავოდსკი), ქაღალდსაკეთებელი მანქანების დიდი ქ-ნა (პეტროზავოდსკი), ალუმინის ქ-ნა (ნადვოიცი). განვითარებულია საშენ მასალათა მოპოვება (ონეგისპირეთი). იღებენ პეგმატიტს და ქარსს. თევზს იჭერენ თეთრ ზღვასა და ჩრდ. ატლანტიკაში.

სოფ. მეურნ. ძირითადი დარგებია სარძეო მეცხოველეობა, კარტოფილის და ბოსტნეულის წარმოება, მეფრინველეობა და ნადირთმოშენება. 1972 კ-ში იყო 56 საბჭ. მეურნ. და 11 თევზსაჭერი კოლ-ბა. რესპ. სათესი ფართ. 84% საკვებ კულტურებს უკავია, 15% — კარტოფილსა და ბოსტნეულს. არის მარცვლოვანი კულტურების უმნიშვნელო ნათესები. მსხვ. რქ. საქონელი (1979, ათ. სული)—90,4, ღორი—34,3, ცხვარი და თხა — 0,1.

სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე 2 ათ. *კმ*-ზე მეტია (1971; 1923 -ში იყო 0,7). გაყვანილია ხაზები: პეტროზავოდსკ—სუოიარვი, სუოიარვი—იუშკოზერო, ლოუხი—სოფპოროგი, ბელომორსკ — ობოზერსკაია. სანაოსნოა ლადოგისა და ონეგის ტბები, თეთრი ზღვა—ბალტიის არხი. პეტროზავოდსკი ავიახაზებით უკავშირდება ლენინგრადს, არხანგელსკს, მოსკოვსა და რესპ. შორეულ რ-ნებს.

სახალხო განათლება. კ-ში ოქტ. რევოლუციამდე იყო 444 სკოლა, ძირითადად დაწყ., სწავლობდა 16 ათ. მოსწავლე. უმაღლესი სასწავლებლები არ იყო. 1978 ყველა ტიპის 560-ზე მეტ სკოლაში სწავლობდა 117,7 ათ. მოსწავლე, 20-მდე საშ. სპეც. სასწავლებელში — 15,7 ათ. მოსწავლე, 30 პროფტექ. სასწავლებელში—11 ათ. მოსწავლე. მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, 17 პიონერთა სახლი, საბავშვო პარკი, ნორჩ ტექნიკოსთა 2 სადგური, ნორჩ ნატურალისტთა სადგური, საბავშვო საექსკურსიო-ტურისტული სადგური, 24 სამუსიკო და 5 სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სასწავლებელი. *პეტროზავოდსკის უნივერსიტეტში*, პედ. ინ-ტსა და ლენინგრ. რიმსკი-კორსაკოვის სახ. კონსერვატორიის ფილიალში სწავლობდა 10, 2 ათ. სტუდენტი.

1978 რესპუბლიკაში იყო 17 სამეცნ. დაწესებულება, მ. შ. საბჭ. კავშირის მეცნ. აკად. კარელ. ფილიალი (რ-იც აერთიანებდა 4 ინ-ტსა და 2 განყ-ბას), სატყეო მრეწვ. ინ-ტი, თევზის მრეწვ. ჩრდ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. პეტროზავოდსკში არის სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ცელიულოზმაში". უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნ. დაწესებულებებში მუშაობდა 1400-ზე მეტი მეცნ. მუშაკი, მ. შ. 37 მეცნ. დოქტორი და 430-ზე მეტი მეცნ. კანდიდატი.

1978 მუშაობდა 540 მასობრივი ბ-კა (7,3 მლნ. ც. წიგნი და ჟურნალი), 486 საკლუბო დაწესებულება; 7 მუზეუმი, 4 პროფ. და 10 სახ. თეატრი, სახელმწ. ფილარმონია, 551 კინოდანადგარი და სხვ.

1978 გამოიცა 145 წიგნი და ბროშურა საერთო ტირაჟით 4500 ათ. ც. გამოდიოდა 18 გაზეთი ფინ. და რუს. ენებზე. რესპ. გაზეთებია: „ნეუვოსტო კარიალა" („საბჭოთა კარელია", 1920-იდან, ფინ. ენაზე), „ლენინსკაია პრავდა" (1918-იდან, რუს. ენაზე). გამოდიოდა 9 პერიოდული და სხვა საჟურნალო გამოცემა, მ. შ. ლიტ.-მხატვრული და საზ.-პოლიტ. ჟურნალები: „პუნალიპუ" („წითელი დროშა", 1940-იდან, ფინ. ენაზე), „სევერი" (1940-იდან, რუს. ენაზე).

რესპ. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის გადაცემები მიმდინარეობს ფინ. და რუს. ენებზე. რეტრანსლაცია წარმოებს მოსკოვიდან. ტელეცენტრი პეტროზავოდსკშია.

ლიტერატურა. კარელ. ხალხთა ლიტერა შეიქმნა ოქტ. რევ. შემდეგ და ვითარდებოდა ფინ. და რუს. ენებზე. იგი ეყრდნობოდა ზეპირსიტყვიერების ტრადიციებს, რუნების მომღერალთა და მთქმელთა ნაწარმოებებს, რ-თა საფუძველზეც შეიქმნა კარელი და ფინ. ხალხების ეროვნ. ეპოსი „*კალევალა*". კ-ის ლიტ-რის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუს. კლასიკურმა და საბჭ. ლიტ-რამ. კ-ის ფინურენოვანი ლიტ-რის პირველი მწერლები არიან ი. ე. ვირტანენი (1889—1939), ლ. ლეტონმიაკი, გ. ლაუკანენი და ს. მიაკელი.

30-იან წლებში განვითარდა მოთხრობისა და რომანის ჟანრი. ამ პერიოდის ლიტ-რის მთავარი თემაა სოციალ. მშენებლობა (ს. ნორინი, 1909—42; ფ. ივაჩევი, 1904—57; ხ. ტიხლი, 1872—1944 და სხვ.). ისტ. ჟანრის განვითარებაში მნიშვნელო-

ვანი წყლილი შეიტანეს რ. რუსკოს (რ. ი. ნიუსტრემი, 1898—1939) რევ. დრამებმა, ო. იოგანსონის (1892—1939), ვ. ჩეხოვის (დ. 1901), ე. პარასის (1884—1939) ისტ. რომანებმა, ი. კუტასოვის (1910—41) პოემებმა. დიდი სამამულო ომის თემატიკა, საბჭ. ხალხის პატრიოტიზმი, კარელი ხალხის ცხოვრება და კომუნიზმის იდეალების ერთგულება ფართოდ აისახა მოთხრობებსა და რომანებში (ა. ტიმონენი, დ. 1915; დ. გუსაროვი, დ. 1924 და სხვ.), პიესებში (რ. კორნეევი და სხვ.), პოეზიაში (ა. ავდიშეევი, დ. 1928; მ. ტარასოვი, დ. 1930 და სხვ.). განვითარდა ფოლკლორისტიკა, ლიტმცოდნეობა; გაცხოველდა მთარგმნელობითი საქმიანობა.

ხელოვნება. თეთრი ზღვისა და ონეგის ტბის სანაპიროზე შემონახულია ნეოლითის პერიოდისა და ბრინჯაოს ხანის კლდეზე ამოკვეთილ ცხოველთა გამოსახულებანი.

XIV—XV სს-ში კ-ში საფუძველი ჩაეყარა ხატწერის ხელოვნებას, რ-მაც ნოვგოროდის ხელოვნ. გავლენა განიცადა. ხატწერა ვითარდებოდა თითქმის XVIII ს-მდე.

მდიდარმა ტყის მასივებმა განაპირობა კ-ში ხის ხუროთმოძღვრების განვითარება (მურომის მონასტრის ლაზარეს ეკლესია, XIV ს. დასასრ.; ეკლესიები— სოფ. ჩიოლმუჟში, 1605; ლიჩნის ტბაზე, 1620; მიძინებისა კონდოპოგში, 1774). XVII ს. II ნახევრიდან გაჩნდა კუბური (სოფ. ვირმის ეკლესია, 1759) და მრავალგუმბათიანი (ფერისცვალების 22-გუმბათიანი ეკლესია, 1714, კიჟი) ეკლესიები. საცხოვრ. სახლები უპირატესად ხის მორებითაა ნაგები. XVIII ს-ში განვითარდა ქვით მშენებლობა [მრგვალი მოედნის (ახლანდ. ლენინის მოედანი) ანსამბლი პეტროზავოდსკში]. საბჭ. პერიოდში განაშენიანდა ახ. ქ-ები. პეტროზავოდსკში აიგო ბევრი ახ. შენობა: კარელ. ასსრ რუს. დრამ. თეატრი (1953—55, არქიტ. ს. ბროდსკი, მოქანდაკე ს. კონიონკოვი), ფინ. დრამ. თეატრი (რეკონსტრუქცია 1965, არქიტ. ს. ბროდსკი) და სხვ. 1943 შეიქმნა სსრკ არქიტ. კავშირის კარელ. განყ-ბა. XX ს-ში ჩაისახა საერო ხასიათის სახვ. ხელოვნება, რ-ის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ვ. პოპოვის შემოქმედებამ. 1940 შეიქმნა რესპ. მხატვართა კავშირი. 1950-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა გრაფიკის ჟანრს, ხოლო 1960—70-იან წლებში — პორტრეტულ და ჟანრულ ქანდაკებას. განვითარებულია ხალხ. დეკორ. ხელოვნება — ხეზე კვეთა და დეკორ. მოხატვა, ქარგვა.

კ-ის მდიდარი და მრავალფეროვანი ხალხ. სასიმღერო შემოქმედების ერთ-ერთი უძველესი სახეა — რუნები (კარელურ-ფინ. ეპიკური სიმღერები). რუნების გამოჩენილი მომღერლები იყვნენ (XIX ს.) ა. და მ. პერტუნენები, ა. მალინენი, ვ. კიელევიაინენი. ხალხ. საკრავებია: კანტელე, იოუხიკო და ვირსიკანელი. პროფ. მუს. ხელოვნება აღმოცენდა ოქტ. რევ. შემდეგ. პირველი პროფესიონალი კომპოზიტორები იყვნენ: კ. რაუტიო, ლ. იოუსინენი, ლ. ტეპლიცკი, გ. სინისალო (პირველი კარელ. სიმფონიისა და ეროვნ. ბალეტის ავტორი), რ. პერგამენტი (პირველი ეროვნ. კომ. ოპერის ავტორი და სხვ.).

კ-ში მუშაობს: კ-ის რადიოსა და ტელევიზიის სიმფ. ორკესტრი (დაარსდა 1933), კარელ. ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი „კანტელე“ (დაარსდა 1936), მუს. სასწავლებელი (დაარსდა 1938), ფილარმონია (დაარსდა 1969), 17 მუს. სკოლა, კომპოზიტორთა კავშირი (დაარსდა 1937), კარელ. ასსრ მუს. თეატრი (დაარსდა 1955), რ-ის დასში მღერიან რსფსრ სახ. არტისტი ს. გუბინა, კარელ. ასსრ სახ. არტისტი ზ. ესტრინი, ი. სიდოროვი და სხვ.; დირიჟორი — ი. შერმანი.

ოქტ. რევოლუციამდე კ-ში ეროვნ. თეატრი არ არსებობდა. 1929 გაიხსნა რუს. დრამის თეატრი, რ-იც 1955 გადაკეთდა მუს.-დრამ., ხოლო 1970 რუს. დრამ. თეატრად. 1932 შეიქმნა პირველი ეროვნ. ფინ. დრამ. თეატრი, რ-ის რეპერტუარშია ეროვნ., ფინ., საბჭ. და უცხ. კლასიკური და თანამედროვე დრამატურგთა პიესები. 1935 დაარსდა თოჯინების თეატრი. სხვადასხვა წლებში რესპუბლიკაში მუშაობდნენ მსახიობები და რეჟისორები: ი. ჩაროვი, ვ. ბელოვი, პ. გაიდებუროვი და სხვ. თანამედროვე თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები არიან: სსრკ სახ. არტისტი ე. ტომბერგი, რსფსრ სახ. არტისტები დ. კარპოვა, ტ. ლანკინენი, ტ. რომპაინენი, ი. ხუმბი და სხვ.

ლიტ.: Июдин И. М., Кривченок И. Е., Карельская АССР. 50 лет. Цифры и факты, Петрозаводск, 1970; Ополовников А. В., Памятники деревянного зодчества Карело-Финской ССР, М., 1955; Очерки истории Карелии, т. 1—2, Петрозаводск, 1957—64; Очерк истории советской литературы Карелии, Петрозаводск, 1969; Писатели Карелии. Петрозаводск, 1970; Плотников В., Изобразительное искусство Советской Карелии, Л., 1961; 50 лет Советской Карелии. Сб., Петрозаводск, 1970; Российская Федерация, Европейский Север, М., 1971 (Серия «Советский Союз»).

კარელიის ყელი, ყელი ფინეთის ყურესა (ბალტიის ზღვა) და ლადოგის ტბას შორის, რსფსრ ლენინგრადის ოლქში. სამხრეთ ესაზღვრება ნევისპირა დაბლობი. ყელის ჩრდ. ნაწილი უმთავრესად აგებულია გრანიტებითა და გნაისებით, ცენტრ. და სამხრ. ნაწილები — მყინვარული და ტბიური ნალექებით. განვითარებულია სერული რელიეფი (სიმაღლე დაახლ. 50 *მ*-მდე). სამხრ. ნაწილში მორენული ბორცვებია. კ. ყ-ს კვეთს წყალუხვი მდ. ვუოქსა. ბევრია მყინვარული წარმოშობის ტბა. ჭარბობს წიწვოვანი ტყე. კ. ყ-ზე მდებარეობს ქ-ები: ვიბორგი, პრიოზიორსკი, ვსევოლჟსკი. ფინეთის ყურის სანაპიროზე საკურორტო დაბები და კურორტებია: სესტრორეცკი, ზელენოგორსკი, რეპინო და სხვ. განვითარებულია ტურიზმი.

IX ს. ბოლოდან კ. ყ. რუს. ტერიტ. ნაწილია. XVII ს. დამდეგს დაიპყრო შვეციამ. 1721 ნიშტადტის საზავო ხელშეკრულებით დაუბრუნდა რუსეთს. 1918—40 კ. ყ-ის დიდი ნაწილი შედიოდა ფინეთის შემადგენლობაში. 1927—39 აქ შეიქმნა მანერპაიმის გამაგრებული ხაზი. 1940 წ. 12 მარტს სსრკ-ფინ. საზავო ხელშეკრულებით გადაეცა საბჭ. კავშირს. 1941 ივლისში დაიპყრეს გერმ.-ფინ. ჯარებმა. 1944 გაათავისუფლეს საბჭ. ჯარებმა და 19 სექტ. დაზავების პირობით კვლავ სსრკ-ის შემადგენლობაში შევიდა.

შემორჩენილია ისტ. ძეგლები — რუს. ციხესიმაგრეები: კორელა, ტივერსკი (XIII ს.), ორეხოვი (XIV ს.), შვედური ციხე ვიბორგი (XIV—XVIII სს.). კ. ყ-ზე 1906-17 რამდენჯერმე იყო საცხოვრებლად ვ. ი. ლენინი.

კარელური დანაოჭება, დანაოჭება, რ-ითაც დასრულდა ქეედა- და შუაპროტეროზოური გეოსინკლინური ნალექების დანაოჭება ბალტიის ფარის აღმ. ნაწილში. კ. დ. ორ ეპოქად (ფაზად) განიყოფება: ადრეულ კარელურად (დაახლ. 2000—1900 მლნ. წ. წინ) და გვიანდ. კარელურად (დაახლ. 1750—1650 მლნ. წ. წინ). პირველმა ბალტიის ფარის ნაწილობრივი, ხოლო მეორემ სრული სტაბილიზაცია გამოიწვია. ფინეთში კ. დ-ის ანალოგია სვეკოფენური დანაოჭება.

კარელური ენა, განეკუთვნება ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახის ბალტიისპირულ-ფინური ენების ჯგუფს. გავრცელებულია რსფსრ კარელ. ასსრ-ში, აგრეთვე ფინეთში. კ. ე-ზე სსრკ-ში ლაპარაკობს დაახლ. 92 ათ. კაცი (1970, აღწერა). კ. ე-ში დადასტურებულია მოკლე და გრძელი ხმოვნების დაპირისპირება, დამახასიათებელია ხმოვანთა ჰარმონია (ჰარმონიისადმი ნეიტრალურია e, i). აგლუტინაციური ენაა, სიტყვაწარმოება სუფიქსურია, ხშირად ერთი და იგივე ელემენტი აწარმოებს სახელსაც და ზმნასაც. სიტყვათა რიგი წინადადებაში თავისუფალია. ლექსიკაში მრავლადაა ნასესხები სიტყვები გერმ. და რუს. ენებიდან. გამოიყოფა 3 დიალექტი. უძველესი წერილობითი ძეგლები (XIII ს-იდან) შესრულებულია რუნული ანბანით. XX ს. II ნახევრიდან იყენებენ ფინ. და რუს. გრაფიკას.

ლიტ.: Макаров Н., Карельский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 3, М., 1966.

კარენები, სამხრ.-აღმ. ბირმასა (დაახლ. 2,4 მლნ. კაცი; 1970, შეფასება) და დას. ტაილანდზე (100 ათ. კაცზე მეტი) მცხოვრები ხალხი. შენარჩუნებული აქვთ ტომობრივი დაყოფის მნიშვნელოვანი გადმონაშთები; კ-ის ენა განეკუთვნება ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახის ტიბეტურ-ბირმულ შტოს. გავრცელებულია ბუდიზმი, ქრისტიანობა (კერძოდ, ბაპტიზმი), ძვ. ანიმისტური რწმენები. ბირმის კავშირში კ-ს აქვთ ავტ. ეროვნ. სახელმწიფო (კოტულეი), მაგრამ უმრავლესობა მის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება (ბრინჯი, ბამბა, თამბაქო, ხილი, ბოსტნეული).

კარერი (Karrer) პაულ (21. IV. 1889, მოსკოვი,—1971), შვეიცარიელი ქიმიკოსი და ბიოქიმიკოსი. 1911 დაამთავრა ციურიხის უნ-ტი. 1912—18 მაინის-ფრანკფურტში პ. ერლიხთან ერთად ჩაატარა ფარმაკოქიმ. კვლევა ლითონთა კომპლ. მარილებისა და ვერცხლ-სალვარსანის კომპლექსი მიიღო. 1918-იდან ციურიხის უნ-ტის პროფესორი, 1919-იდან ქიმ. ინ-ტის დირექტორი ციურიხში. ჩაატარა რიგი ბიოლოგიურად აქტ. ნაერთის სინთეზი (ნახშირწყლები, ალკალოიდები, ლეციტინები, ანტოციანიდინები, კაროტინოიდები, ვიტამინები და მათი კოფერმენტული ფორმები) და დაადგინა მათი აღნაგობა. ნობელის პრემია (1937) ინგლ. მეცნიერ უ. ჰოუორსთან ერთად.

კართაგენი. ნილაბი. ტერაკოტა. ძვ. წ. VI ს. ლუვრი. პარიზი.

კარეტა, კლდოვანი მწვერვალი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. ტოტზე, მდ-ების ენგურისა და ხალდეჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3524 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებითა და კრისტ. ფიქლებით. ჩრდ. ფერდობი თოვლიანია.

კარეტა, მთა ლეჩხუმის ქედზე, მდ. ხეორისწყლის (ლუხუნისწყლის მარჯვ. შენაკადი) სათავესთან. სიმაღლე 3354 *მ*. აგებულია ბაიოსური პორფირიტებით. კალთები შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

კარვაში (Karvaš) პეტერ (დ. 25. IV. 1920, ბანსკა-ბისტრიცა), სლოვაკი მწერალი, დრამატურგი. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1938-იდან. მისი შემოქმედების მთავარი თემაა სლოვაკი ხალხის ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ (დრამ. ტრილოგია „მეტეორი“, 1945; „ბასტიონი“, 1948 და სხვ.). კ-ის დრამატურგიისათვის დამახასიათებელია კლასიკური მკაცრი ფორმები (პიესები „შუალამის მესა“, 1959; „ანტიგონე და სხვები“, 1961). კ. წერს აგრეთვე რომანებს, მოთხრობებს, ფილოს.-დრამ. პამფლეტებსა და იუმორესკებს. აღსანიშნავია მისი ტრილოგია: „ხალხი ჩვენი ქუჩიდან“ (1951), „სიხარულით აღსავსე გული“ (1954), „პაციენტი 113“ (1955).

კარვინა (Karviná), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში, ჩრდ. მორავიის ოლქში. 81 ათ. მცხ. (1976). ოსტრავა-კარვინის აუზის ქვანახშირის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. კოქსის წარმოება, ლითონდამუშავება. თეატრი.

კართაგენი, ძვ. ქალაქ-სახელმწიფო ხმელთაშუაზღვისპირეთში, ჩრდ. აფრ. ტერიტორიაზე. წარმოიშვა ტვიროსელ ფინიკიელთა სავაჭრო კოლონიის ადგილას (ახლანდ. ტუნისის ყურე) დაახლ. ძვ. წ.

კარი. კარული ტბა.

IX ს. ბოლოს ხელსაყრელმა გეოგრ. მდებარეობამ, სავაჭრო კოლონიათა ფართო ქსელმა განამტკიცა კ-ის ბატონობა დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის სავაჭრო გზებზე. ძვ. წ. VII—II სს-ში კ. გადაიქცა ამ რეგიონის ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოდ და ითვლებოდა „რომის ძალაუფლების მეტოქედ". ძვ. წ. VII—VI სს-ში კ. ებრძოდა ბერძნებს, პირენეს ნ.-კ-ის სამხრეთში მდებარე ქალაქებს, სიცილიას. კ-მა სამხ. კავშირი შეკრა ეტრუსკებთან (ძვ. წ. VI ს. შუა წლები). მათ გაერთ. ძალით გაანადგურეს ფოკეელ ბერძენთა ფლოტი ალალიეესთან (ძვ. წ. 535). წარმატებით დამთავრდა მეორე ლაშქრობა სარდინიაში. კ-მა იქ კოლონიებიც მოაწყო. ძვ. წ. 510—509 კ-მა ხელშეკრულება დადო რომთან. სიცილიაში გიმერასთან (დაახლ. ძვ. წ. 480) დამარცხების შემდეგ (ამ ბრძოლაში *ჰამილკარ ბარკა* დაიღუპა) კ. იძულებული გახდა დროებით ხელი აეღო საბერძნ. სამფლობელოებზე. ძვ. წ. V ს. 80-იანი წლებიდან კ. ცდილობდა კავშირი შეეკრა აქემენიდებთან, რ-ებიც საბერძნეთს უტევდნენ. ძვ. წ. VII—VI სს-ში კ-მა ტუნისისა და ალჟირის სანაპიროებზე დააარსა კოლონიები, დაიმორჩილა ლიბიელი ტომები. კ-ის სახელმწიფო ეთნიკურად ჭრელი იყო. უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ დასავლეთელი ფინიკიელები, ჩრდ. აფრიკის ლიბიელი ტომები, ესპ. იბერები, სარდინიელები და სხვ. კ-ის სახელმწ. შემადგენლობაში შემავალი ქ-ებისა და ოლქების პოლიტ. და უფლებრივი მდგომარეობა სხვადასხვანაირი იყო; ზოგიერთი" მათგანი ითვლებოდა კ-ის თანასწორუფლებიან ერთეულად (უტიკა, კოსურა და სხვ.); გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ებესის ტიპის კოლონიები. ზოგიერთი ქალაქი და ტერიტორია (დას. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქ-ები სიცილიის ჩათვლით) კ-ის „პროტექტორატად" ითვლებოდა. ძვ. წ. VI ს. ბოლოსა და V ს. პირველ ნახევარში კ-ში სამხ. დიქტატურა იყო. მაგონის მემკვიდრენი ეყრდნობოდნენ ოლიგარქიულ წრეებს (ვაჭრ-ხელოსანთა ზედაფენებს და სხვ.), მაგრამ ძვ. წ. V ს. შუა წლებიდან ამ წრეებთან კონფლიქტის გამო მაგონიდებმა დაკარგეს ძალაუფლება. ამის შემდეგ კ-ში შეიქმნა მმართველობის „რესპუბლიკური" სისტემა. ძალაუფლება ხელთ იგდეს სავაჭრო-მიწათმფლობელური არისტოკრატიის ცალკეულმა დაჯგუფებებმა. მხედართმთავართა ძალაუფლება შეიზღუდა 104-თა საბჭოს შექმნით. გარდაქმნა ოლიგარქიული ხელისუფლების ორგანოები: ათთა საბჭო შეცვალა ოცდაათთა საბჭომ, რ-იც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა; უხუცესთა საბჭოს წევრთა რაოდენობა 100-იდან 300-მდე გაიზარდა. სახელმწიფოს სათავეში ედგა 2 სუფეტი — „მსაჯული"; ძალაუფლების დემოკრ. ორგანოებს, კერძოდ, სახალხო კრებას, სერიოზული უფლებანი აღარ გააჩნდა.

კარიბჭე. ძანგლისის ტაძარი. დას. კარიბჭე. XI ს. I ნახ.

ძვ. წ. III ს. დასაწყისისათვის კ-მა დაიმორჩილა თითქმის მთელი სიცილია. ეს გახდა მიზეზი კ-სა და რომს შორის ბრძოლისა და ე. წ. I პუნიკური ომისა (ძვ. წ. 264—241), რ-შიც კ. დამარცხდა. ჰანიბალის მიერ ესპ. ტერიტორიების დაპყრობამ კვლავ გამოიწვია რომთან შეტაკება. II პუნიკური ომის (ძვ. წ. 218—201) დასაწყისში კ-მა მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია. რომი ზედიზედ დამარცხდა თავისსავე ტერიტორიაზე, მაგრამ ძვ. წ. 202 კართაგენელებიც დამარცხდნენ. ერთი წლის შემდეგ რომთან დადებული ხელშეკრულებებით კ-მა შეინარჩუნა მხოლოდ თავისი სამფლობელოები აფრიკაში. მომდევნო წლებში კ-მა დაკარგა წინანდელი პოლიტ. გავლენა, სამაგიეროდ ეკონომიკურად გაძლიერდა, რაც მოსვენებას არ აძლევდა რომს. მეზობელ ნუმიდიელთა ერთ-ერთი თავდასხმის მოსაგერიებლად კ-ის ბრძოლა რომმა ძვ. წ. 201 ხელშეკრულების დარღვევად მიიჩნია და III პუნიკური ომი (ძვ. წ. 149—146) დაიწყო. რომაელებმა ალყა შემოარტყეს კ-ს და მთელი ქალაქი მიწასთან გაასწორეს. კ-ის სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი რომის პროვინცია გახდა. კ-ის ხელოვნებამ, რ-იც ფინიკიურიდან იღებს სათავეს, განიცადა ძვ. ეგვ. და ბერძნ. ხელოვნების გავლენა. კ-ის დიდებული ნაგებობანი (მრავალსართულიანი სახლები, ტაძრები, მავზოლეუმები და სხვ.) ძირითადად ქვითა და ალიზით იყო ნაშენი. ჩვენამდე მოღწეულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია პირამიდული სახურავით დაგვირგვინებული ატებანის კოშკისებრი მავზოლეუმი დუგაში (ძვ. წ. 200, ხუროთმოძღვარი აბარიში). პუნიკური კ-ის ხელოვნებაზე წარმოდგენას იძლევა ქალაქის მახლობლად სამარხებში ნაპოვნი საიუველირო ნაკეთობანი, თიხის სანათურები, ჭურჭელი, ქანდაკებები, ნიღბები, აგრეთვე ადამიანთა ფიგურების რელიეფური გამოსახულებებით შემკული სარკოფაგები. *ვ. გიორგაძე.*

კართაყაუ, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (კობის სოფსაბჭო), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2060 *მ*, ყაზბეგიდან 38 *კმ*. კობის სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეცხვარეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ყანობში (22,5 *კმ*).

კარი, ქ. *ყარსის* (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება.

კარი, 1. (<გერმ. Kar), ცირკი, სავარძლისებრი ბუნებრივი ჩაღრმავება მთის კალთაზე. აქვს ციცაბო, კლდოვანი კედლები და ჩაზნექილი ფსკერი. წარმოიქმნება პატარა *მყინვარის* ან *თოვლნარის* ზემოქმედებით და *ნივაციის* შედეგად. ზოგიერთი კ. ამოვსებულია კარული მყინვარით ან ფირნით, ზოგში სეზონური თოვლია დაგროვილი. კ-ის ფსკერზე ხშირად მყინვარული ტბებია. 2. (<გერმ. Karren), შიშველი კარსტისათვის დამახასიათებელი ხნულისებრი (დაღარული) მიკრორელიეფი (ღარების სიღრმე რამდენიმე *სმ*-იდან 1—2 *მ*-მდე და მეტია). ჩნდება კირქვის ან სხვა ხსნადი ქანების ზედაპირზე წვიმის, ლანქერის, იშვიათად ზღვისა და მდინარის წყლის ქიმ. მოქმედებით. ღარები ქმნის რთულად დატოტვილ ლაბირინთს. ხშირად კ. მოიცავს დიდ ფართობს და კარულ ველს წარმოქმნის.

კარია (Karia), ძვ. ქვეყანა მცირე აზიის (ახლანდ. თურქეთი) სამხრ.-დასავლეთში, ლიკიასა და ლიდიას შორის, ძვ. წ. I ათასწლეულში. მთავარი ქალაქი — ჰალიკარნასი. კ-ის ტერიტ. დასახლებული იყო ძვ. წ. II ათასწლეულიდან. კარიელების გარდა აქ ცხოვრობდნენ იონიელები და დორიელები. ძვ. წ. V—IV სს-ში კ-ს ჰყავდა ადგილ. მმართველები, რ-ებიც ემორჩილებოდნენ აქემენიდებს. ძვ. წ. 129-იდან შედიოდა რომის პროვინცია აზიაში. უკანასკნელ წლებში წარმატებით გაიშიფრა კარიული წარწერები, რ-თა ენას სპეციალისტები აკუთვნებდნენ ინდოევრ. ენების ხეთურ-ლუვიურ ჯგუფს.

ლიტ.: Robert L., Robert J., La Carie. Histoire et géographie historique.., P., 1955. *ბ. გიორგაძე.*

კარიატიდა [ბერძნ. karyatides, სიტყვასიტყვით — არტემიდას ტაძრის ქურუმი ქალები კარიეში (ლაკონიკეს ოლქი, ძვ. საბერძნეთი)], ფეხზე მდგარი ქალის ქანდაკება, რ-იც ხუროთმოძღვრულ ნაგებობაში გამოყენებულია კოჭის საყრდენად (ან დეკორატიულად გამოხატავს ამ ფუნქციას). ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურსა და XVII—XIX სს. ევრ. არქიტექტურაში.

კარიბები, ინდიელ ტომთა ჯგუფი სამხრ. ამერიკაში. ლაპარაკობენ კარიბულ ენებზე. რაოდ. 100—150 ათ. კაცი. რელიგია — სატომო კულტები. კ. ცხოვრობენ უმთავრესად ტროპ. ტყეების ზოლში და სავანებში, მდ. ამაზონის ჩრდ-ით (ვენესუელაში, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, ჰონდურასსა და სხვ. ქვეყნებში). მისდევენ საახოე მიწათმოქმედებას, თევზჭერას, ნადირობას, შემგროვებლობას. საზ. ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა მეზობლური თემი, რ-შიც შემონახულია დედისეული გვაროვნ. ურთიერთობის მნიშვნელოვანი გადმონაშთები.

კარიბის ანდაები, მთები ვენესუელაში, კარიბის ზღვის ნაპირის გასწვრივ. სიგრძე დაახლ. 800 *კმ*. 2765 *მ*-მდე სიმაღლის ქედები დანაწევრებულია ტექტონიკურ-ეროზიული გასწვრივი ხეობებით. უმთავრესად აგებულია მეზოზოური ასაკის მეტამორფული ქანებით, გრანიტული ინტრუზიებითა და მეზო-კაინოზოური ეფუზიური და დანალექი ქანებით. ხშირია მიწისძვრა. არის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოები. 900—1000 *მ*-მდე ქსეროფიტული ბუჩქნარებია. უფრო მაღლა ფოთოლმცვივანი მარადმწვანე ტყე და ბუჩქოვანი მდელოა.

კარიბის ზღვა, კარიბის ზღვა [Caribbean Sea; სახელწოდება მოდის სამხრ. ამერიკის ინდიელთა ტომების ერთ-ი ჯგუფის კარიბების (კარაიბების) სახელიდან], ნახევრად დახშული ზღვა ატლანტის ოკეანეში, ცენტრ. და სამხრ. ამერიკასა და დიდი და მცირე ანტილის კ-ებს შორის. იუკატანის სრუტით უკავშირდება მექსიკის ყურეს, ანტილის კ-ებს შორის მდებარე სრუტეებით — ატლანტის ოკეანეს, პანამის არხით — წყნარ ოკეანეს. ფართ. 2754 ათ. *კმ*², საშ. სიღრმე 2491 *მ*, წყლის საშ. მოც. 6860 ათ. *კმ*³. სანაპირო ხაზი შეჭრილ-შემოჭრილია. კ. ზ. ოკეანისაგან გამოყოფილია კუნძულთა რკალით (მცირე ანტილის კ-ები, კუბა, ჰაიტი, პუერტო-რიკო, იამაიკა და სხვ.). კ. ზ-ის ფსკერი წყალქვეშა ქედებით გაყოფილია გრენადის, ვენესუელის, კოლუმბიის, იუკატანის, ბარტლეტის ქვაბულებად. ფსკერზე დალექილია ფორამინიფერებიანი და კირქვული ლამი. ჰავა ტროპიკულია. ნალექები 500 *მმ*-იდან (აღმ.) 2000 *მმ*-მდე (დას.) წელიწადში. პასატების გავლენით წყლის ზედაპირული დინება მოძრაობს აღმ-იდან დას-კენ, ცენტრ. ამერ. სანაპიროსთან უხვევს ჩრდ.-დას-კენ, იუკატანის სრუტით შედის მექსიკის ყურეში, საიდანაც გამოდის გოლფსტრიმის დინება. წყლის საშ. ტემპერა ზედაპირზე 25—28°C, მარილიანობა დაახლ. 36,0‰. მოქცევა ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 1 *მ*-ზე ნაკლები. კ. ზ-ში ბინადრობს ზვიგენი, მფრინავი თევზები, ზღვის კუ, კაშალოტი, ვეშაპი და სხვ. დიდი ნავსადგურებია მარაკაიბო, ლა-გუაირა (ვენესუელა), კარტახენა (კოლუმბია), ლიმონი (კოსტა-რიკა), სანტო-დომინგო (დომინიკელთა რესპ.), კოლონი (კუბა) და სხვ.

კარიბის კრიზისი 1962, კუბის წინააღმდეგ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედებით გამოწვეული კრიზისი.

კარიბის ზღვა

დიდი ნავსადგურები

ძარაკაიბო
ლა-გუაილიმონი
კარტახენა
ლიმონი
სანტო-დომინგო
კოლონი
სანტიაგო-დე-კუბა

ამერ. კონტინენტზე რევ. კერის სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის აშშ-მა კუბის წინააღმდეგ მოაწყო ეკონ. ბლოკადა, დაიწყო დივერსანტების შეგზავნა, ქ-ების დაბომბვა და სხვ. 1961 აპრილში პლაია-ხირონის რ-ნში შეიჭრნენ აშშ-ის დაქირავებული ჯარები, მაგრამ კუბის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს კონტრრევ. ინტერვენცია. 1962 თებ. კუბა გარიცხეს *ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციიდან*. 1961—62 გახშირდა შეჭრა კუბის საჰაერო და საზღვაო სივრცეში. კუბის მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, კერძოდ, სსრკ მთავრობასთან დადო შეთანხმება კუბაში სტრატეგიული დანიშნულების იარაღის განლაგების შესახებ. 1962 ოქტ. აშშ მთავრობამ მოაწყო კუბის საშხ.-საზღვ. ბლოკადა, კარიბის ზღვის რ-ნში კუბაში შესაჭრელად თავი მოუყარა საშხ.-საზღვ. ფლოტს, ავიაციას და საზღვ. ქვეით ჯარებს. საბჭ. მთავრობამ დაგმო აშშ-ის აგრესიული მოქმედება და მიიღო გადაწყვეტილება სსრკ-ში საშხ. ხასიათის ღონისძიებათა გატარების შესახებ. 1962 ოქტ.-ნოემბ. სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკების შედეგად, რ-საც ესწრებოდნენ აგრეთვე კუბის წარმომადგენლები და გაეროს გენ. მდივანი, საბჭ. სტრატეგიული იარაღი გამოიტანეს კუბის ტერიტორიიდან, ხოლო აშშ-მა მოხსნა კუბის ბლოკადა და გაიწვია თავისი ჯარები.

კარიბჯე, პ ო რ ტ ი კ ი, შენობის წინ გამოწეული ნაწილი, რ-იც სახურავის საყრდენი სვეტებით ან თაღებით არის შექმნილი და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან. ქალაქის, სასახლის და სხვ. საზეიმო შესასვლელი. დაგვირგვინებულია *ფრონტონით* ან *ატიკით*. კ. ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკურ ეპოქაში ძვ. საბერძნეთში. ამ პერიოდში ხშირად განცალკევებულად მდგომ კ-ებსაც აგებდნენ. კ-მ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ევრ. არქიტექტურაში (ძირითადად კლასიციზმის ხანაში—XVIII ს.—XIX ს. I მესამედი). საქართვ. მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკლესიებს სამხრ-ით (ან ორივე — სამხრ. და დას. მხრიდან) უკეთებდნენ კ-ებს, რ-ებსაც ხშირად ამკობდნენ მდიდრული დეკორით. ცნობილია *დმანისის სიონის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის, მანგლისის, ბეთანიისა* და სხვ. ტაძართა კ-ები.

კარიბჯე-ლოკოკინას ნერვი, თავის ტვინის მე-8 წყვილი ნერვი, რ-იც შედგება სმენის ფუნქციასთან დაკავშირებული ლოკოკინას და წონასწორობის ფუნქციასთან დაკავშირებული კარიბჭის ნაწილებისაგან. ორივეს აქვს ბიპოლარული უჯრედებისაგან შემდგარი კვანძები. სმენის ნაწილის ე. წ. სპირალური კვანძი ლოკოკინაშია; მისი უჯრედების პერიფერიული ბოჭკოები სპირალურ (კორტიის) ორგანოსთანაა დაკავშირებული; ცენტრ. ბოჭკოები ქმნიან ლოკოკინას ნერვს, რ-იც შიგნითა სასმენი ხვრელით შედის ქალას ღრუში და აღწევს ხიდისა და ოლივის პირველად ბირთვებს. აქედან აგზნება მე-2 ნეირონით გადაეცემა სმენის ქერქქვეშა ბირთვებს (მედიალური დამუხვლილი სხეული და ოთხგორაკის ქვემო გორაკები), საიდანაც მე-3 ნეირონით სმენის კორტიკალურ ცენტრს აღწევს. კარიბჭის კვანძი შიგნითა სასმენი მილის ძირშია. მისი უჯრედების პერიფერიული ბოჭკოები იწყება აპკისებრი ლაბირინთის ნაწილებიდან. ცენტრ. ბოჭკოები ქმნიან მე-8 ნერვის კარიბჭის ნაწილს, რ-იც შედის ტვინის მასაში და ბოლოვდება რომბისებრი ფოსოს ძირში მდებარე კარიბჭის ბირთვებში. აქედან მე-2 ნეირონის აქსონები ბირთვ-ნათხემის გზის შემადგენლობაში აღწევენ ნათხემის ჭიას. *ვ. აბაშიძე.*

კარიბჭის აპარატი, ყურის ერთ-ერთი ნაწილი. იგივეა, რაც *ვესტიბულური აპარატი*.

კარიერა (იტალ carriera — სრბოლა, ცხოვრების გზა, ასპარეზი<ლათ. carrus—ურემი), დაწინაურება, წარმატების მოპოვება საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სამსახურებრივი ან სხვ. საქმიანობის დარგში. სიტყვა „კ.“ ზოგჯერ პროფესიის ან საქმიანობის განსაზღვრისათვისაც იხმარება. მაგ., მსახიობის კ., ექიმის კ.; კ ა რ ი ე რ ი ზ მ ი, სამსახურებრივ, სამეცნ. ან სხვა რომელიმე დარგში ანგარების მიზნით საკუთარ წარმატებაზე ზრუნვა საზ. ინტერესების საზიანოდ.

კარიერი (ფრანგ. carrière < გვიანდ. ლათ. quarraria, quadraria—ქვის სამტეხლო), სამთო საწარმო, სადაც საბადოს დამუშავების ღია მეთოდით (იხ. *ღია სამთო სამუშაოები*) მოიპოვებენ ნახშირს, მადანს ან არამადნეულ სასარგებლო წიაღისეულს. თანამედროვე კ-ში ყველა სამთო სამუშაო (ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღება, ტრანსპორტირება და სხვ.) მექანიზებულია.



კარიერის სქემა.

კ-ის მთავარი საწარმოო ტექ. ელემენტებია საფეხურები, მისადგომები, *სპირალები* და ბლოკები (იხ. ნახ.). ქანებსა და სასარგებლო წიაღისეულს ყოფენ ჰორიზ. შრეებად, შრეებს კი — საფეხურებად. დამუშავებას იწყებენ ზედა საფეხურებიდან; ამოღების პროცესი მიმდინარეობს თანამიმდევრული ზოლების—ს პ ი რ ა ლ ე ბ ი ს — მიხედვით. სანგრევიდან სასარგებლო წიაღისეულის მიწის ზედაპირზე ამოსატანად კ-ში დახრილი კაპიტ. ტრანშეებია გაყვანილი.

სსრკ-ში ზოგიერთი კ-ის სიღრმე რამდენიმე ასეულ *მ* აღწევს, მწარმოებლურობა კი — რამდენიმე ათეულ მლნ. *ტ* მადანს.

კარიკატურა (იტალ. caricatura<caricare—ზედმეტად დატვირთვა, გადაჭარბება, გაზვიადება), სახვითი ხელოვნების ჟანრი (უმთავრესად გრაფიკული), მხატვრული ტიპიზაციის საშუალება, რ-შიც კრიტიკული მიზანდასახულობისათვის, ცხოვრებისეული მოვლენის ან პიროვნების ნეგატიური მხარეების საჩვენებლად გამოყენებულია *შარჟისა* და *გროტესკის* ხერხები. ფართო გაგებით კ. არის გამოსახულება, რ-შიც შეგნებულადაა შექმნილი კომ. ეფექტი, გაერთიანებულია რეალური და ფანტასტიკური, გადაჭარბებული სიმძაფრით არის გადმოცემული ადამიანის ფიგურის, სახის, ჩაცმულობის, ქცევისა და სხვ. სახასიათო ნიშნები. კ-ის ჟანრის ჩასახვა დაკავშირებულია 1524—26 წწ. გლეხთა ომთან გერმანიაში, რეფორმაციასთან, XVI—XVIII სს. ბურჟ. რევოლუციებთან ნიდერლანდში, ინგლისსა და საფრანგეთში. კ-ის ტექნიკა მჭიდროდაა დაკავშირებული გრაფიკის მრავალტირაჟიან სახეებთან — ქსილოგრაფიასთან, ოფორტთან, ლითოგრაფიასთან. კ. სახვ. ხელოვნ. ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი, მისაწვდომი ჟანრია, იგი თავისი ეპოქის ხელოვნ. იდეურ-მხატვრულ და სტილისტურ ნიშნებს ატარებს. მაგ., კლასიციზმის პრინციპები შეიმჩნევა XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყ. მრავალ კ-ში, მოდერნის სტილის ზეგავლენა—XIX—XX სს. მიჯნაზე შექმნილ კ-ებში, ექსპრესიონიზმთან კავშირი — 1910—20 წწ. გერმ. კ-ებში. ამასთან, კ. წარმოადგენს თავისი ეპოქის ხელოვნ. იმ მხარეებს, რ-ებიც უშუალო კავშირში არიან ყველაზე მტკივნეულ სოც. საკითხებთან. XVIII ს. I ნახევარში უ. ჰოუგართის გრავიურებში, რ-ებშიც ავტორი დასცინოდა მაშინდელ ინგლ. საზ-ბას, ჩაისახა კ-ის, როგორც ხელოვნ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, სისტემური განკითარების გზა. XVIII ს. დასასრ. და XIX ს. დასაწყ. გრაფიკოს-კარიკატურისტებმა ჯ. გილრეიმ, ტ. როულენდსონმა, ჯ. კრუკშანკმა გამოიმუშავეს კ-ის საკუთარი ტიპი: მათ ჟანრული სცენები გადააქციეს განსაკუთრებულ თეატრ. სანახაობად, რ-შიც გაშიშვლებული იყო სინამდვილის მახინჯი მხარეები. ინგლ. კ-ის სოც. პათოსი ვერ გასცდა „პარლამენტურ ოპოზიციონერობას“, მაგრამ მასში ჩამოყალიბდა ევრ. კ-ის შემოქმედებითი ხერხები, აგრეთვე განსაზღვრა კ-ის სპეციფ. თვისება — ყველა საზ. და სახელმწიფოებრივ ამბავზე და საერთაშ. პოლიტიკის მოვლენაზე ოპერატიული გამოხმაურება. ასეთია: საფრ. დიდი რევოლუციის ხანის კ-ები, ინგლ. „ანტინაპოლეონური ფურცლები“, რუს. სატირული „ხალხური სურათები“, რ-ებიც მიმართული იყო რუს. თავადაზნაურობის ფრანგომანიის წინააღმდეგ; აგრეთვე ფ. გოიას მხატვრულად სრულყოფილი და სატირულად ძლიერი ოფორტები, რ-ებშიც გაკიცხულია ესპ. შავბნელი რეაქცია და ფრანგი დამპყრობლების სისასტიკე. XIX ს. პროგრ. კ. დიდ ყურადღებას უთმობდა კრიტ. რეალიზმის ძირითად თემას — პიროვნების უფლებებისა და ღირსების დაცვას კაპიტალის ბატონობის პირობებში.

ანტიბურჟ. პათოსითაა გამსჭვალული დიდი ფრანგი მხატვრის ო. დომიეს და 1871 პარიზის კომუნის კ-ები (ჟ. პილოტელი, მოლოკი და სხვ.). ცენზურული შეზღუდვის პერიოდებში სოც. სატირა ხშირად გამოდიოდა ყოფითი კ-ის სახით, რ-ის ფარული აზრი ხშირად ტექსტში იყო მინიშნებული. კ-ის ეს სახე XIX ს. შუა წლებიდან რუს. სატირულ ჟურნალებს („ისკრა“, „გუდოკი“ და სხვ.) ახასიათებდა. კ-ის ერთ-ერთი ყველაზე მოქმედ და გამომსახველ ხერხად იქცა „სოციალური ნიღბის“ ხერხი. მეფისა და მისი მხლებლების სატირის სოც. ნიღბები იქმნება 1905—07 წწ. რუს. პოლიტ. გრაფიკაში (ვ. სეროვი, ბ. კუსტოდიევი, ე. ლანსერე). XX ს. კ-მ გამოხატა საზ. ძალების რთული დამოკიდებულებანი. სოციალ. იდეებით განიმსჭვალა ოქტ. რევოლუციამდელი ბოლშევიკური გაზეთის „პრავდის“ კ-ები. ემოციურ სიმძაფრეს მიაღწია ანტიმილიტარისტულმა კ-მ. კ-ის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ფ. მაზერელის პოლიტ. გრაფიკამ. 1910—20-იან წლებში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მოწინავე კარიკატურისტებმა თავიანთი შემოქმედება დაუკავშირეს მუშურ და კომუნისტურ გაზეთებს (რ. მაინორი, უ. გროპერი, ფ. ელისი, ჯ. ბერკი აშშ-ში; ჯ. გროსი, ო. დიქსი, ჰ. ციელე, რ. შლიხტერი გერმანიაში; ლ. ლაფორჟი, რ. დიუბოსკი, რ. კაბროლი საფრანგეთში; ი. ლადა ჩეხოსლოვაკიაში). 1930-იან წლებიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ანტიფაშისტური კ. ომის შემდეგ სახელი გაითქვეს პროგრ. კარიკატურისტებმა: ჟ. ეფელმა, ლ. მიტელბერმა (საფრანგეთი), ჰ. ბიდსტრუპმა (დანია). საბჭ. ხელისუფლების პირველი წლებიდანვე კ. საბჭ. აგიტაციურ-მასობრივი ხელოვნ. შემადგენელი ნაწილი გახდა. მას ახასიათებდა ოქტ. რევ. და სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ მიმართული კრიტ. პათოსი. საბჭ. კ-ის ოსტატთაგან აღსანიშნავია დ. მოორი, ვ. დენი, ვ. ლებედევი, კ. როტოვი, კუკრინიქსები და სხვ.

კარიკატურა: ო. დ ო მ ი ე. „ეს ხომ პატარა ხუმრობაა!“ გრავიურა ხეზე. 1834.



კარიკატურა. ბ. ფ ი რ ცხ ა ლ ა ვ ა. „პარაზიტის ძიებაში“. 1960. მხატვრის კუთვნილება.

რევოლუციამდელი ქართ. კ-ის განვითარება დაკავშირებულია ჟურნ. „ცნობის ფურცელთან“, რ-შიც ქართვ. კარიკატურისტები ხშირად ათავსებდნენ თავიანთ ნამუშევრებს (ო. შმერლინგი, შ. ქიქოძე,

დ. კარიჭაშვილი.



ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა სახეობის კარიოტიპები; 1—კიჭკიჭანი (Crepis capillaris); 2—კუტკალიისა (Tettigonia cantans); 3 — ხილის ბუზისა (Drosophila melanogaster); 4 — პეპლისა (Dasychira pudibunda); 5—მამლისა (Gallus domesticus).

კარის ზღვა

დიდი ყურეები

ენისეისა
პიასინისა
ბაიდარატისა
ობისა
ტაიმირისა

ერთვის მდინარეები

ენისეი
ობი
პიასინა
კარა

უმთავრესი კუნძულები

ნორდენშელდის არქიპელაგი
არქტიკული ინსტიტუტისა „იზვესტიისა"
სერგეი კიროვისა
განმარტოებისა
ვიზესი
უშაკოვისა
შმიდტისა

მ. თოიძე და სხვ.). სატირული გრაფიკის განვითარება 1930-იან წლებში დაკავშირებულია გუროს (ო. კასპარიანი) და დონის (დ. ნაცვლიშვილი) სახელებთან. კ-ის შემდგომ განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ჟურნ. „ნიანგმა". კ-ის ჟანრში წარმატებით მუშაობენ: გ. ლომძე, ა. კანდელაკი, ი. ქოქიაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ფირცხალავა, დ. ერისთავი, ზ. ნიჟარაძე, მ. ბერძენიშვილი, ნ. მალაზონია, ზ. ლეჟავა, ზ. ფოჩხიძე, დ. ზარაფიშვილი და სხვ.

ლიტ.: Швыров А. В., Трубачёв С. С., Иллюстрированная история карикатуры с древнейших времён до наших дней, СПб., 1903.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 464—465.

კარილიო (Carrillo) სანტიაგო (დ. 18. I. 1915, ხიხონი, ასტურიის პროვინცია), ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1928 შევიდა სოციალ. ახალგაზრდობის ფედერაციაში (საფ.). 1930 საფ-ის მადრიდის ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, 1934—36 საფ-ის გენ. მდივანი. აქტიურად მონაწილეობდა ესპ. სოციალ. ახალგაზრდობის გაერთ. კავშირის შექმნაში (1936 აპრ.), რ-შიც შევიდნენ კომუნისტები და სოციალისტები. იყო ამ ორგანიზაციის გენ. მდივანი. 1936-იდან ესპ. კომპარტიის (ეკპ) წევრი. ფაშისტ მეამბოხეთა და იტალია-გერმ. ინტერვენციის წინააღმდეგ ესპ. ხალხის ეროვნ.-რევ. ომის (1936—39) დროს შედიოდა მადრიღის დაცვის ხუნტაში. ესპ. რესპ. დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. 1937-იდან ეკპ ცკ წევრი, 1945-იდან პოლიტბიუროს (1960-იდან აღმასკომი) წევრი. 1940 იყო ახალგაზრდობის კომინტერნის მდივანი. 1954-იდან ეკპ ცკ-ის სამდივნოს წევრი. 1960-იდან ეკპ-ის გენ. მდივანი.

კარიმატა (Karimata), სრუტე კ. კალიმანტანსა და კ. ბელიტუნგს შორის, ინდონეზიაში. აკავშირებს სამხრ. ჩინეთისა და იავის ზღვებს. მინ. სიგანე დაახლ. 210 *კმ*, სიღრმე 36 *მ*-მდე. სრუტეში მარჯნის რიფები და ბევრი პატარა კუნძულია.

კარინსკი მიხეილ ივანეს ძე [4 (16). XI. 1840, მოსკოვი, — 20. VII (2. VIII). 1917], რუსი ლოგიკოსი და ფილოსოფოს-მატერიალისტი. დაამთავრა მოსკ. სას. აკადემია (1862). მუშაობდა ფილოს. ისტ., ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საკითხებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შრომები აქვს ანტ. ფილოს. საკითხებზე.

ლიტ.: Кондаков Н. И., Выдающиеся произведения русской логической науки XIX в., წგნ.: Избр. труды русских логиков XIX в., М., 1956; Радлов Э. Л., Ученая деятельность проф. М. И. Каринского, в. [1]—2, СПб., 1895.

კარინთია (Kärnten), მხარე სამხრ. ავსტრიაში. ფართ. 9,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 525,7 ათ. კაცი (1971), მ. შ. 1/5 — სლოვენები და ხორვატები. ადმ. ც. — ქ. კლაგენფურტი. პროვ. დიდი ნაწილი უჭირავს აღმ. ალპებს (სიმაღლე 3300—3700 *მ*), ქედებს შორის მთათაშუა ქვაბულებია (კლაგენფურტისა და სხვ.). ტერიტ. დაახლ. 1/2 შემოსილია ტყით. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 30% ჩაბმულია მრეწველობასა და ხელოსნობაში, 20%— სოფ. და სატყეო მეურნეობაში, 12% — ვაჭრობასა და ტრანსპორტში. იღებენ მაგნეზიტს, ტყვია-თუთიის მადანს. განვითარებულია ხე-ტყისა და ხის დასამუშ., აგრეთვე ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ., ფერადი მეტალურგია. სოფ. მეურნეობაში მთავარია სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. ნახნავის დაახლ. ნახევარი უჭირავს საკვებ კულტურებს (მ. შ. ბალახს). სანაოსნოა მდ. დრავა. განკითარებულია ტურიზმი.

კარიო... (<ბერძნ. karyon—კაკალი, ბირთვი), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი; მიუთითებს უჯრედის ბირთვთან კავშირზე. მაგ., კარიოლოგია.

კარიოკინეზი (*კარიო...* და ბერძნ. kinēsis — მოძრაობა), უჯრედის არაპირდაპირი გაყოფის — *მიტოზის* მოძველებული სახელწოდება.

კარიოლიმფა (*კარიო...* და *ლიმფა*), ბირთვის წვენი, უჯრედის ბირთვის პროტოპლაზმა, რ-იც ციტოპლაზმისაგან გამოყოფილია ბირთვის გარსით — *კარიომემბრანით*.

კარიოლოგია (*კარიო...* და *...ლოგია*), ციტოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის უჯრედის *ბირთვს* და მის შემადგენელ ნაწილებს. კ-ში ძირითადად იყენებენ ოპტიკური და ელექტრონული მიკროსკოპიის, ციტოქიმ. და იზოტოპური ინდიკატორების მეთოდებს. კ. ცალკე დარგად ჩამოყალიბდა XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში, როდესაც დაადგინეს უჯრედის ბირთვის წამყვანი მნიშვნელობა მემკვიდრულობაში. კ-ის უმთავრესი მიღწევაა ბირთვის სტრუქტურების, განსაკუთრებით ქრომოსომების მიკროსკოპიული და სუბმიკროსკოპიული აღნაგობისა და ქცევის დადგენა როგორც ინტერფაზაში, ისე უჯრედის გაყოფისას. კ-ისა და გენეტიკის საფუძველზე შეიქმნა *ციტოგენეტიკა*. სხვადასხვა ტიპის უჯრედთა ქრომოსომული კომპლექტების — *კარიოტიპების* შედარებითი შესწავლით დადგინეს, რომ ერთსა და იმავე სახეობაში კარიოტიპი მუდმივია. ეს ფაქტი გამოიყენეს ახლო სახეობათა შორის ნათესაობის ხასიათის დასადგენად, აგრეთვე სახეობების გასამიჯნად და ახ. სახეობების გამოსავლენად. XX ს. II ნახევრიდან ინტენსიურად განვითარდა ადამიანის კ., გამოვლინდა საკმაოდ ბევრი მემკვიდრული დაავადებისა და სიმახინჯის განვითარების ქრომოსომული ბუნება (იხ. *გენეტიკა ადამიანისა*, *გენეტიკა სამედიცინო*). 1948-იდან იტალიაში (ფლორენცია) გამოდის საერთაშ. ჟურნ. „Caryologia". სსრკ-ში და უცხოეთში კარიოლოგიური გამოკვლევები იბეჭდება მრავალ ციტოლოგიურ, გენეტ. და სხვ. ჟურნალში.

ლიტ.: Руководство по цитологии, т. 1—2, М.—Л., 1965—66. *დ. ჯორბაძე.*

კარიოსისტემატიკა (*კარიო...* და *სისტემატიკა*), კარიოტაქსონომია, სისტემატიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფის (ტაქსონების) უჯრედთა ბირთვების სტრუქტურას მათი ფილოგენეზური სიახლოვის დონის გამოსავლენად. კ-ის მონაცემებს იყენებენ ორგანიზმთა ბუნებრივი სისტემის დასადგენად. კ. ვითარდება სისტემატიკის, *კარიოლოგიისა* და *გენეტიკის* ურთიერთობის საფუძველზე. იგი შეისწავლის *კარიოტიპის* აღნაგობასა და წარმოშობას, მაგრამ უმარტივეს ორგანიზმთა სისტემატიკაში გამოიყენება ბირთვის აპარატის ყველა თავისებურება. კ-ში ტაქსონომიური მნიშვნელობა აქვს ქრომოსომების რაოდენობას და მორფოლოგიას, დნმ-ს რაოდენობას ბირთვში, დნმ-ს ნუკლეოტიდურ შემადგენლობას და სხვ. ჩვეულებრივ ქრომოსომებს შეისწავლიან *მიტოზის* მეტაფაზაში, უფრო იშვიათად — *მეიოზის* მეტაფაზაში.

მცენარეთა კ. ინტენსიურად განვითარდა XX ს. დასაწყისიდან. 1^015 გერმ. ციტოლოგმა ჰ. ტიშლერმა აღწერა მცენარეთა 400-მდე სხვადასხვა სახეობის ქრომოსომთა კომპლექტები. მცენარეული კ. ჩვეულებრივ განისაზღვრება ქრომოსომთა რაოდენობის დადგენით, რის გამოც პოლიპლოიდიის შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა. კარიოტიპის მიხედვით ყველაზე უკეთაა შესწავლილი ყვავილოვანი მცენარეები. ცხოველთა კ. შედარებით ინტენსიურად განვითარდა 60—70-იანი წლებიდან. ორსქესიან ცხოველებში პოლიპლოიდია ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მათი კარიოტიპი მცენარეებთან შედარებით გაცილებით მრავალფეროვანია. ცხოველებში ევოლუციურად უფრო ძველ, საწყის ფორმებს ქრომოსომთა დიდი რაოდენობა აქვთ, უფრო გვიანდელს კი — შედარებით ნაკლები. მცენარეებში საწყისად ითვლება დიპლოიდური, ხოლო წარმოებულად — პოლიპლოიდური კარიოტიპი. კ. გვეხმარება ე. წ ორეული სახეობების აღმოჩენაში, მაგ., კ-ით დადგინდა, რომ ერთ სახეობად მიჩნეული შავი ვირთაგვა (Rattus rattus), სინამდვილეში 2 სახეობაა; კ-ით დადგენილია, რომ შინაური ცხვრის ყველა ჯიში წარმოშობილია მუფლონიდან და სხვ. კ-ს მნიშვნელობა აქვს პრაქტ. სელექციაში.

ლიტ.: Воронцов Н. Н., Значение изучения хромосомных наборов для систематики млекопитающих, «Бюллетень Московского об-ва испытателей природы. Отд. биологический», 1958, т. 63, № 2.

კარიოტა (Caryota), მცენარეთა ვარი პალმების ოჯახისა. მაღალტანიანი (25 *მ*-მდე) მცენარეებია. 12-მდე სახეობა იზრდება ინდოეთში, კ. შრი-ლანკაზე, ინდოჩინეთში, ჩინეთში, მალაის არქიპელაგისა და სოლომონის კ-ებზე, ტროპ. ავსტრალიაში. ზოგი სახეობის (C. urens, C. mitis) ყვავილედის წვენიდან ამზადებენ შაქარს, აყენებენ ღვინოს. მერქანს იყენებენ სამშენებლოდ, ფოთლების ბოჭკოებს — თოკებისა და სხვ. დასამზადებლად. ნაყოფმსხმოიარობის შემდეგ კ-ს მიწისზედა ნაწილი ხმება.

კარიოტიპი (*კარიო...* და ბერძნ. typos—ნიმუში, ფორმა, ტიპი), ქრომოსომული კომპლექტი, ქრომოსომების ნიშან-თვისებათა ერთობლიობა ორგანიზმის უჯრედებში. ცნება „კ." შემოიღო საბჭ. გენეტიკოსმა გ. ლევიცკიმ (1924). კ. სახეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ენტეტიკური მახასიათებელია, თითოეულ სახეობას საკუთარი კ. აქვს. ერთი ორგანიზმის უჯრედებში კ-ის მუდმივობა გაპირობებულია *მიტოზით*, სახეობის ფარგლებში კი — *მეიოზით*. იგი მხოლოდ *მუტაციის* შედეგად იცვლება. დიპლოიდური უჯრედების კ. შედგება 2 პაპლოიდური კომპლექტისაგან (*გენომისაგან*). დედლისა და მამლის კ. ზოგჯერ განსხვავდება *სასქესო ქრომოსომების* ფორმით, ხანდახან კი — რაოდენობითაც.

კარის ვენა, ადამიანისა და ცხოველის ვენური ღერო. მდებარეობს ღვიძლის კარში (აქედან სახელწოდებაც). აგროვებს სისხლს მუცლის ღრუს ყველა ორგანოდან (კუჭი, ნაწლავები, ელენთა, პანკრეასი), შარდ-სასქესო ორგანოების გარდა. ღვიძლში კ. ვ. ტოტიანდება კაპილარებამდე, რის შემდეგაც გადადის ახალ—ღვიძლის ვენების სისტემაში, რ-იც უკავშირდება ქვემო ღრუ ვენას. კ. ვ-ის სისხლი ჯერ ღვიძლის ქსოვილს გაივლის და შემდეგ ერთდება სისხლის მიმოქცევის დიდ წრეს.

ვ. აბაშიძე.

კარის ვენის სისტემა, პორტალური სისტემა, სისხლის მიმოქცევის სისტემის განსაკუთრებული ნაწილი, რ-შიც კაპილარული წნულები ჩართულია 2 ვენას შორის და მხოლოდ ვენურ სისხლს შეიცავს (ვენური „საოცარი წნულები"). კ. ვ. ს-ს ქმნის ორგანოში სისხლის შემომტანი კარის ვენა, რ-იც საბოლოოდ ორგანოს ქსოვილებში იშლება კაპილარებად; კაპილარები იკრიბება გამომტან ვენებად, უქალოებს (ამფიოქსუსი). ყველა ხერხემლიან ცხოველსა და ადამიანს აქვს ღვიძლის კ. ვ. ს., რ-ის მეშვეობით ნაწლავებიდან მოსული სისხლი ღვიძლში ტოვებს ზედმეტ შაქარს და მონელებისას წარმოქმნილ შხამიან ნივთიერებებს (აქ ისინი უვნებელ ნაერთებად გარდაიქმნება). თირკმლის კ. ვ. ს., რ-ის მეშვეობითაც, სხეულის უკანა ნაწილიდან მოსული სისხლი თავისუფლდება ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებისაგან, გააჩნია ყველა ხერხემლიან ცხოველს, მრგვალპირიანებისა და ძუძუმწოვრების გარდა.

კარის ზღვა, ჩრდ. ყინულოვანი ოკეანის განაპირა ზღვა. სამხრ-ით ესაზღვრება დას. ციმბ. დაბლობი. ჩრდ. ყინულოვანი ოკეანიდან გამოყოფილია ახალი მიწის, ფრანც-იოსების მიწისა და ჩრდილოეთის მიწის კ-ებით. ფართ. დაახლ. 880 ათ. *კმ*²,

საშ. სიღრმე 127 *მ*, მაქს. — 620 *მ*. წყლის მოც. 112 ათ. *კმ*³. გადაჭიმულია სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-კენ დაახლ. 1500 *კმ*-ზე, სიგანე ჩრდ. ნაწილში 800 *კმ*-მდეა.

კ. ზ-ში ბევრი კუნძულია, რ-თა საერთო ფართ. 10 ათ. *კმ*².

კ. ზ. მდებარეობს კონტინენტურ თავთხელზე, რ-საც კვეთს წმინდა ანასა და ვორონინის ღრმა წყლის ღარები. ღარებს შორის მოქცეულია კარის ცენტრ. წყალქვეშა მაღლობი, რ-ზეც აღმართულია ვიზესა და უშაკოვის კ-ები.

კ. ზ-ის აკვატორია ჩამოყალიბდა პლეისტოცენური გამყინვარების უკანდახევის შედეგად. ზღვის ფსკერი დაფარულია ლამით, ქვიშიანი ლამითა და ქვიშით.

კ. ზ-ის ჰავა არქტიკულია, მკაცრი. 3—4 თვე პოლარული ღამეა, 2—3 თვე — პოლარული დღე. წლის უმეტეს დროს ჰაერის ტემპ-რა 0°C-ზე დაბალია და ზღვის დიდი ნაწილი დაფარულია ყინულით. ნაპირებთან და კუნძულებს შორის ზამთრობით ჩნდება ნაპირის ყინული. წყლის ძირითადი მასა გადაცივებულია (ტემპ-რა —1,5°C-ზე დაბალია). ღარებში არქტიკული აუზიდან შემოდის ატლანტის ოკეანეური წყალი, რ-ის ტემპ-რა 150—200 *მ* სიღრმეზე 2,5°C. ზაფხულობით ყინულისაგან თავისუფალ ზღვის ზედაპირზე წყლის ტემპ-რა სამხრ.-დას. ნაწილში 6°C აღწევს, ჩრდ-ში 2°C.

უხვი მდინარეული ჩამონადენისა და ზაფხულში ყინულის დნობის გამო ზღვის წყლის ზედა შრე ნაპირთან ნაკლებმარილიანია. იობისა და ენისეის შესართავებთან მარილიანობა 10—12‰, ფრანც-იოსების მიწასთან მარილიანობა მატულობს 33‰-მდე, ხოლო ზღვის სამხრ.-დას. ნაწილში 20—25‰ შორის მერყეობს. მოქცევა უმთავრესად ნახევარდღეღამურია, სიმაღლე საშ. 0,5—0,8 *მ*, ყურეებში 2 *მ*-მდე.

კ. ზ. მდიდარია უხერხემლოთა ფაუნით. ბევრია ნახევრად გამსვლელი თევზი (ომული, მუქსუნი, ნელმა, გოჭალა, ნავაგა, კამბალა); ზღვის ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს სელაპი, მორჟი, ზღვის კურდღელი, თეთრი დელფინი; კ-ებზე ბევრია ფრინველი (ბევრგანაა „ფრინველთა ბაზარი"), ცვხვდება თეთრი დათვი და ყარსალი.

კ. ზ-ის მთავარი ნავსადგურია დიქსონი.

კარის ჭიშკარი, სრუტე კ. ვაიგაჩსა და კ. ახალ მიწას შორის. აკავშირებს ბარენცისა და კარის ზღვებს. სიგრძე 33 *კმ*, სიგანე 45 *კმ*-მდე, სიღრმე 119 *მ*-მდე. ნაპირები მაღალია. წლის უმეტეს დროს დაფარულია ყინულით.

კარიჭაშვილი დავით გიორგის ძე (1862, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. გორის რ-ნი,— 26. VII. 1927, თბილისი), ქართველი მწერალი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი. 1885-იდან მისი კრიტ.-პუბლიც. წერილები, მოთხრობები და გამოკვლევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში „დროება", „თეატრი", „მოამბე", „ჯეჯილი", „კვალი", „ივერია" და სხვ. 1887 ცალკე წიგნაკად გამოსცა მოთხრ. „სამი მსხვერპლი". 1885—92 იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მდივანი, 1921—27—უნ-ტის სიძველეთსაცავის მცველი. 1905 შეადგინა „კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა" (II გამოცემა, 1911). ავტორია რუსთველოლოგიური ნაშრომებისა: «„ვეფხისტყაოსნის" ახალი გამოცემის რეცენზიის გამო» (1904), «„ვეფხისტყაოსნის" შედგენილობა» (1913); 1903 და 1920 გამოსცა ვეფხისტყაოსანი, რ-საც საფუძვლად დაედო პოემის 1888 დაბეჭდილი ტექსტი. კ. იყო ა. ყაზბეგის თხზ. სრული კრებულის (1910), ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის" (1913, 1919), ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების კრებულის (1910) რედაქტორი. აქვს გამოკვლევები ქართ. ქორონიკონის, ქართ. ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ („ხუცური ანბანი", 1910, 1914), აგრეთვე ნაშრომები საქართვ. ისტორიაში („როსტომ მეფე", 1894; „საქართველო მეთორმეტე საუკუნეში", 1902; „საქართველოს მოკლე ისტორია", 1908 და სხვ.). კ-ს ეკუთვნის აგრეთვე „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია" (1929), „ქართული ენის გრამატიკა. ეტიმოლოგია" (1930) და სხვ.

ლიტ.: ცაიშვილი სოლ., დ. გ. კარიჭაშვილი, კრ : სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, [ტ.] 2, თბ., 1955. *ს. ცაიშვილი.*

კარკალი, ლოდნარი, რ-ითაც მოფენილია მობრტყელებული მწვერვალები ალპურ სარტყელში. წარმოიქმნება ქანების ყინვისმიერი გამოფიტვის შედეგად. კ. ზოგჯერ მთის კალთებზეც ეშვება და გრავიტაციული ძალით შეუმჩნევლად მიცოცავს ეროზიულ ღარტაფებში.

კარკასი (ფრანგ. carcasse) ტექნიკაში, რომელიმე ნაკეთობის, კონსტრუქციული ელემენტის, შენობის ან ნაგებობის ჩონჩხი, რ-იც ერთმანეთზე მიმაგრებული ცალკეული ღეროებისაგან შედგება; ამზადებენ ხის, ლითონის, რკინაბეტონისა და სხვ. მასალისაგან. კ. განსაზღვრავს ნაკეთობის ან ნაგებობის სიმტკიცეს, მდგრადობას, ხანგამძლეობას, ფორმას. სიმტკიცესა და მდგრადობას უზრუნველყოფს ღეროების ხისტად ჩამაგრება (იხ. *ღეროვანი სისტემა*) და სიხისტის სპეც. ელემენტები.

შენობის კ. ძირითადად შედგება *სვეტებისა* და მათზე დაყრდნობილი *რიგელების*, გრძივებისა და *წამწვეებისაგან*, რ-ებზეც აწყობენ გადახურვისა და სახურავის ელემენტებს. კ. არის ერთ- და მრავალიარუსიანი, ერთ-, ორ- და მრავალმალიანი; შენობის კ. ორგვარია: სრული, რ-ის ელემენტები განლაგებულია შენობის მთელ გეგმაზე და ზიდავს შენობის ყველა ვერტ. დატვირთვას, და არასრული, რ-იც მდებარეობს შენობის შიგნით, სადაც გარე მზიდი კედლები კ-თან ერთად მონაწილეობს შენობის საერთო მუშაობაში. თანამედროვე მშენებლობაში უმეტესად იყენებენ ასაწყობ კ-ს, რ-საც გარედან მსუბუქი პანელებით ფარავენ. იხ. აგრეთვე *კარკასულ-პანელური კონსტრუქციები.*

კარკასულ-პანელური კონსტრუქციები, შენობათა კონსტრუქციები (ნახ.), რ-ებიც შედგება *კარკასის* მზიდი ელემენტებისა და პანელებისაგან დამზადებული შემომზღუდი კონსტრუქციებისაგან (კედელი, გადახურვა და სახურავი). ხის, ლითონისა და რკინაბეტონის კ.-პ. კ-ს ფართოდ იყენებენ თანამედროვე მრავალსართულიან შენობებში, რ-ებზეც ქარის დატვირთვა დიდია. უმეტესად იყენებენ რკინაბეტონის კავშირიან კარკასს, უკანასკნელი ქარის დატვირთვას გადასცემს ვერტ. და ჰორიზ. *დიაფრაგმებს*. მცირესართულიან მშენებლობაში იყენებენ ხისკარკასიან კ.-პ. კ-ს (ხის კარკასი შედგება დგარების, რიგელებისა და ირიბანებისაგან). შემომზღუდ კონსტრუქციებს (გარე კედლები და სახურავი) ამზადებენ მათბუნებლიანი ხის ფარ-პანელების სახით. ინდუსტრ. მშენებლობის განვითარებასთან ერთად სსრკ-ში ფართოდ გავრცელდა ბეტონისა და რკინაბეტონის ელემენტებისაგან შემდგარი კ.-პ. კ.; ფოლადის ელემენტებისაგან შემდგარი კ.-პ. კ-ის გამოყენება რაციონალურია უმთავრესად მაღლივ (30 სართული და მეტი) სამოქალაქო შენობებში.

კარკინიტის ყურე, ყურე შავ ზღვაში, ყირიმის ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. ნაპირსა და კონტინენტის ნაპირს შორის. ხმელეთში შეჭრილია 118,5 *კმ*-ზე. სიღრმე დას-ით 36 *მ*-მდე, აღმ-ით — 10 *მ*-მდე. მკაცრ ზამთარში იყინება. კ. ყ-ის ნაპირებზეა ნავსადგურები: სკადოვსკი, ხორლი.

კარკუჩა, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (სნოს სოფსაბჭო), მდ. სნოსწყლის (თერგის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1900 *მ*, ყაზბეგიდან 13 *კმ*. სნოს ვ. ი. ლენინის სახ.



კოლ-ბა (შეცხვარეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ახალციხეში (2 *კმ*). ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კარკუჩისწყალი, იხ. *სნოსწყალი.*

კარლაილი (Carlyle) ტომას (4. XII. 1795, ეკლფეკანი, — 5. II. 1881, ლონდონი), ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმ. რომანტიზმმა და კლასიკურმა იდეალიზმმა (ფ. შელინგი, ი. ფიხტე). 30—40-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ისტ. და პუბლ. ნაწერებში კ. თანაუგრძნობდა მუშათა კლასს, იძლეოდა კაპიტალ. სინამდვილის ღრმა, ხშირად რადიკალურ კრიტიკას. კ-ს ეკუთვნის ე. წ. „გმირების კულტის" კონცეფცია, რ-ის მიხედვით ისტორიას წარმართავენ „გმირები", „რჩეულები" (ო. *კრომველი, ნაპოლეონ I*), მასა, „ბრბო" კი მათი ბრმა იარაღია, დამანგრეველი ძალაა. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ კ-ის წვრილბურჟ.-იდეალისტურმა შეხედულებებმა რეაქციული ხასიათი მიიღო.

კარლი (Karl). „საღვთო რომის იმპერიის" იმპერატორები: **კ. IV** (14. V. 1316, პრაღა, — 29. XI. 1378, იქვე), იმპერატორი და გერმანიის მეფე 1347-იდან, ჩეხიის მეფე (კარლ I, Karel I) 1346-იდან, *ლუქსემბურგთა* დინასტიისა. მიზნად ისახავდა სამეფო დომენის გაძლიერებასა და სამეფო ხაზინის გამდიდრებას. მისი მეფობის დროს დაარსდა პრაღის უნ-ტი (1348), შეიქმნა პრაღის საარქიეპისკოპოსო (1344). კ. IV-ის მიერ 1356 გამოცემულმა *ოქროს ბულამ* განამტკიცა კურფიურსტების პრივილეგიები და ხელი შეუწყო გერმ. პოლიტ. დეცენტრალიზაციას. **კ. V** (24. II. 1500, გენტი,—21. IX. 1558, წმ. იუსტის მონასტერი, ესპანეთი), იმპერატორი 1519—56, ნიდერლანდის პრინცი 1506—55, ესპანეთის მეფე (კარლოს I) 1516—56, *ჰაბსბურგთა* დინასტიისა. ომებმა და დინასტიურმა ქორწინებებმა ხელი შეუწყვეს კ. V-ის გამგებლობაში „ძველი და ახალი სამყაროს" უზარმაზარი სამფლობელოების გაერთიანებას და მებრძოლი კათოლიკობის საშუალებით „მსოფლიო ქრისტიანული მონარქიის" შექმნას. კ. V-ის აბსოლუტისტურმა პოლიტიკამ აჯანყებები გამოიწვია ესპანეთსა და ნიდერლანდში (კომუნეროსის აჯან-



კარკასულ - პანელური შენობის კონსტრუქციული სქემა: 1 —სვეტი; 2— რიგელი; 3 — გადახურვის პანელი; 4—სიხისტის დიაფრაგმა; 5—გარე კედლის პანელი.

კარლ V. პორტრეტი. ტიციანის ნახატი. 1548. ძველი პინაკოთეკა. მიუნხენი.

მამალი ღამურას (Scotophilus kuhlii) სისტემატიზებული კარიოტიპი. შეიცავს 17 წყვილ აუტოსომს (სომატურ ქრომოსომებს) და წყვილ სასქესო ქრომოსომებს XY; დედალს აქვს იგივე აუტოსომები და სასქესო ქრომოსომები XX (მარჯვნივ ზემო კუთხეში, ჩარჩოში).



კარლ XII. პორტრეტი. მხატვარ დ. კრაფტის ნამუშევარი. ფრაგმენტი. დაახლ. 1717 — 18. ვერსალისა და ტრიანონების ეროვნული მუზეუმი. ვერსალი.

ყება 1520—22 და სხვ. ესპანეთში, გენტის აჯანყება 1539—40 ნიდერლანდში). ჰ. V სათავეში ედგა რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას (იხ. *ჟორმსის კონკორდატი*), აწარმოებდა მრავალრიცხოვან ომებს საფრანგეთთან (იხ. *იტალიური ომები 1494—1559*) და ოსმ. იმპერიასთან. დაამარცხა გერმ. პროტესტანტი მთავრები შმალკალდენის ომში (1546—48), მაგრამ მოგვიანებით დამარცხდა მათთან ბრძოლაში და იძულებული გახდა დაედო *აუგსბურგის რელიგიური ზავი* (1555), რ-ის შემდეგ ტახტიდან გადადგა. **ჰ. VI** (1. X. 1685, ვენა,—20. X. 1740. იქვე), იმპერატორი 1711-იდან, *ლეოპოლდ I-ის* ძე. უშედეგოდ ცდილობდა ესპ. ტახტის დაუფლებას (იხ. *ესპანური მემკვიდრეობა*). ებრძოდა ოსმანთა იმპერიას (1716—18, 1737—39). გამოსცა *პრაგმატული სანქცია* (1713). **ჰ. VII** ალბრეხტი (6. VIII. 1697, ბრიუსელი, — 20. I. 1745, მიუნხენი), იმპერატორი 1742—45; ბავარიის კურფიურსტი 1726—45. ტახტზე აიყვანეს ჰაბსბურგთა მოწინააღმდეგეებმა ავსტრ. მემკვიდრეობისათვის ომის დროს. **კარლი** (Karl), შვეციის მეფეები, მათ შორის უმნიშვნელოვანესი: **ჰ. VIII** კნუტსონ ბუნდე (Knutsson Bonde) (1409—70), მეფე 1448—70 (დროგამოშვებით). *ენგელბრექტ ენგელბრექტსონის* მოკვლის (1436) შემდეგ შვეციის მმართველი გახდა. 1436—37 ჩაახშო გლეხთა მოძრაობა. დანია-შვეცია-ნორვეგიის მეფის კრისტოფერ ბავარიელის სიკვდილის შემდეგ ჰ. VIII-მ შვეციის მეფედ აარჩევინა თავი, რაც *კალმარის უნიის* გაუქმებას ნიშნავდა. **ჰ. IX** (4. X. 1550, სტოკჰოლმი, — 30. X. 1611, ნიუჩეპინგი), მეფე 1604-იდან. *გუსტავ I* ვაზას უმცროსი ძე. შვეცია-პოლ. უნიის (1592) დადებასთან ერთად სათავეში ჩაუდგა მოსახლ. ფართო ფენების მოძრაობას შვეცია-პოლ. მეფის სიგიზმუნდის წინააღმდეგ. 1595 აირჩიეს სახელმწიფოს მმართველად. 1598 დაამარცხა სიგიზმუნდის ჯარები და მიალწია მის გადაყენებას (1599). 1604 ოფიციალურად აირჩიეს შვეციის მეფედ. **ჰ. X** გუსტავ (8. XI. 1622 — 13. II. 1660, გეტებორგი), მეფე 1654-იდან. ტახტზე ავიდა დედოფალ კრისტინას გადადგომის შემდეგ. ეჯრდნობოდა წვრილ აზნაურობას და შეძლებულ გლეხებს. 1655 რიქსდაგს მიაღებინა დადგენილება ნაწილობრივი *რედუქციის* შესახებ. ატარებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას. **ჰ. XI** (24. XI. 1655, სტოკჰოლმი, — 5. IV. 1697, იქვე), მეფე 1660-იდან (დამოუკიდებლად მართავდა 1672-იდან). ჰ. X გუსტავის ძე. შვეციაში დაამყარა აბსოლუტიზმი, გაატარა ფართო რედუქცია. მისი მეფობის დროს შვეცია მონაწილეობდა ევრ. ომებში (1672—78 საფრანგეთთან ერთად ჰოლანდ. წინააღმდეგ, 1688—1697 ჰოლანდ. მხარეზე საფრ. წინააღმდეგ). **ჰ. XII** (17. VI. 1682, სტოკჰოლმი, — 30. XI. 1718, ფრედერიქსჰალი, ნორვეგია), მეფე 1697-იდან, მხედართმთავარი. ჰ. XI-ის ძე. აგრძელებდა მამის აბსოლუტისტურ თვითმპყრობელურ პოლიტიკას, ჰყავდა საუკეთესო არმია და ფლოტი. *ჩრდილოეთის ომში* (1700—21) ჰ. XII-ის სარდლობით შვეციამ დაამარცხა დანია და აიძულა 1700 გამოსულიყო ჩრდილოეთის კავშირიდან. შემდეგ დაამარცხა რუს. ჯარი ნარვასთან ბრძოლაში. 1701 დაიწყო ომი პოლ. და საქსონიის წინააღმდეგ. დაამარცხა პოლ.-საქსონიის ჯარები და აიძულა ავგუსტ II დაედო ალტრანშტედტის საზავო ხელშეკრულება (1706), უარი ეთქვა პოლ. სამეფო გვირგვინზე და გამოსულიყო ჩრდ. კავშირიდან. 1708 ზაფხულში ჰ. XII-ის ჯარი შეიჭრა რუსეთში. პეტრე I-მა სასტიკად დაამარცხა იგი *პოლტავის ბრძოლაში* (1709). ჰ. XII გაიქცა ოსმალეთში, სადაც ამაოდ ცდილობდა ჩრდ-იდან და სამხრ-იდან რუსეთზე შვეცია-ოსმ. ჯარების თავდასხმის ორგანიზებას. მოკლეს ნორვ. ციხესიმაგრის ფრედერიქსჰალის გარემოცვის დროს. ისტ. ლიტ-რაში ჰ. XII-ის მხედართმთავრული ხელოვნება სხვადასხვანაირადაა შეფასებული. მისი გამარჯვებები უშედეგო იყო. 15 წლის განმავლობაში მეფის საზღვარგარეთ ყოფნამ სახელმწ. მმართველობის სისტემის დეზორგანიზაცია გამოიწვია. **ჰ. XIV** იუჰან, შვეციისა და ნორვეგიის მეფე, იხ. *ბერნადოტი*. **ჰ. XVI** გუსტავ (დ. 1946), მეფე 1973-იდან. გუსტავ VI ადოლფის შვილიშვილი. 1966 — 69 სამხ. სამსახურში იყო, შემდეგ სწავლობდა უფასლის უნ-ტში.

კარლისტები, კლერიკალურ-აბსოლუტისტური პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები ესპანეთში. ეყრდნობოდნენ რეაქციულ სამღვდელოებას, არისტოკრატიასა და სამხ. ზედაფენებს. „კ." ეწოდათ ესპ. ტახტის პრეტენდენტის დონ კარლოს უფროსის სახელისაგან. კ-მა XIX ს. 30—70-იან წლებში გააჩაღეს *კარლისტური ომები*. შემდგომში ე. წ. ტრადიციონალისტური მოძრაობის ფორმით მხარს უჭერდნენ ყველაზე უფრო რეაქციულ ძალებს. მონაწილეობდნენ ფაშისტურ ამბოხებაში (1936 წ. 18—19 ივლ.), თანამშრომლობდნენ ფრანკოსთან, ზოგიერთი მხარს უჭერდა *ხუან კარლოსს*, რ-იც 1969 ფრანკოს წინადადებით მის მემკვიდრედ და ესპ. მომავალ მეფედ დაამტკიცეს.

კარლისტური ომები, დინასტიური ომები ესპანეთის ბურბონთა ორ შტოს შორის 1833—40 და 1872—76. I კ. ო. დაიწყო 1833 წ. 4 ოქტ., ფერდინანდ II-ის სიკვდილის შემდეგ, როცა აბსოლუტიზმის მომხრე თავადაზნაურობამ (იხ. *კარლისტები*) კარლ IV-ის შვილის, დონ კარლოს უფროსის, ხელმძღვანელობით მოაწყო აჯანყება ქ. ტალავერაში მარია კრისტინას (ისაბელ II-ის რეგენტი) წინააღმდეგ. კარლისტები ძირითადად პარტიზ. ომს აწარმოებდნენ. 1837 კარლისტების 14-ათასიანი ჯარი დონ კარლოს უფროსის მეთაურობით შეეცადა აეღო მადრიდი. ამ ოპერაციის ჩაშლის შემდეგ კარლისტების მოძრაობა შენელდა. II ომი კარლისტებმა 1872 წამოიწყეს. ისინი შეეცადნენ გაემეფებინათ დონ კარლოს უფროსის შვილიშვილი — დონ კარლოს უმცროსი. ვატიკანისა და ევრ. ზოგიერთი ქვეყნის რეაქციული წრეების დახმარებით მათ შეძლეს კატალონიისა და ვალენსიის დაპყრობა. მაგრამ რამდენიმე დამარცხების შემდეგ იძულებული გახდნენ ფარხმალი დაეყარათ. (იხ. *ესპანეთის რევოლუციები XIX ს.*).

„კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გაძმოცემითურთ)“, ვ. ი. ლენინის სტატია, დაწერილი 1914 ივლ.-ნოემბერში. 1915 სტატია არასრული სახით პირველად დაიბეჭდა გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (მე-7 გამოც., ტ. 28) ვ. ილინის ხელმოწერით. გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციამ ამოაგდო სტატიის ბოლო 2 თავი: „სოციალიზმი“ და „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა“, ამასთან, ტექსტში შეიტანა ცვლილებები. 1918 დაიბეჭდა ცალკე ბროშურად. ამ გამოცემას წაემძღვარა ლენინის წინასიტყვაობა. ხელნაწერის მიხედვით სტატიის სრული ტექსტი პირველად (1925) გამოქვეყნდა ლენინის შრომების კრებულში „მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი“. ლენინის მიერ 1914 მარტ-ივლისში შედგენილი სტატიის გეგმა „კარლ მარქსი“ გამოქვეყნდა 1959.

მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ეტაპების ამსახველი მოკლე ნარკვევის შემდეგ ლენინი გადმოსცემს მის მოძღვრებას, რ-იც წარმოადგენს კლასიკური გერმ. ფილოსოფიის, ინგლ. კლასიკური პოლიტ. ეკონ. და ფრანგ. უტოპიური სოციალიზმის გაგრძელებასა და მეცნ. დაგვირგვინებას. ლენინი განსაკუთრებით უსვამს ხაზს მარქსის შეხედულებების თანამიმდევრობასა და მთლიანობას, „...რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ თანამედროვე მატერიალიზმს და თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმს, როგორც მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშათა მოძრაობის თეორიასა და პროგრამას...“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21, გვ. 44). ამ თვალსაზრისით ლენინმა მიზანშეწონილად მიიჩნია მარქსიზმის მთავარი შინაარსის, კერძოდ, მარქსის ეკონ. მოძღვრების გადმოცემისათვის წაემძღვარებინა საერთოდ მისი მსოფლმხედველობის მოკლე მიმოხილვა.

ლენინი მიუთითებს, რომ მარქსის ფილოს. მატერიალიზმი არა მხოლოდ უპირისპირდება იდეალიზმის სხვადასხვა ფორმას, არამედ ძირეულად განსხვავდება მარქსამდელი მატერიალიზმისაგანაც, რ-საც უმთავრესად მექანისტური ხასიათი ჰქონდა, თანამიმდევრულად არ ატარებდა განვითარების თვალსაზრისს და არ ესმოდა ადამიანთა რევ. პრაქტ. მოღვაწეობის მნიშვნელობა. მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის დიალექტიკა მიიჩნიეს როგორც „...განვითარების უაღრესად ყოველმხრივი, შინაარსით მდიდარი და ღრმა მოძღვრება“ (იქვე, გვ. 47) და თანამიმდევრულად გაავრცელეს მატერიალიზმი საზ. მოვლენათა სფეროზე. ლენინი აღნიშნავს, რომ მარქსმა „გვიჩვენა ისტორიის, როგორც ერთიანი, მთელ თავის უდიდეს მრავალმხრივობასა და წინააღმდეგობრიობაში კანონზომიერი, პროცესის მეცნიერული შესწავლის გზა“ (იქვე, გვ. 53). შემდეგ ლენინი გადმოსცემს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიის უმნიშვნელოვანეს დებულებებს და უჩვენებს ამ თეორიის ადგილს მარქსის საერთო შეხედულებათა სისტემაში. ლენინმა ზედმიწევნით დაახასიათა და მაღალი შეფასება მისცა მარქსის მიერ „კაპიტალში“ ჩატარებულ კაპიტალ. წარმოებით ურთიერთობათა გამოკვლევას. ლენინმა ამ შრომაში გამოყო ყველაზე არსებითი საკითხები: საქონლისა და ფულის ანალიზი, ზედმეტი ღირებულების თეორია, კაპიტალის დაგროვება და ჭარბწარმოების კრიზისები, კაპიტალის დაგროვების ისტ. ტენდენცია, საზ. კვლავწარმოების, მოგების საშ. ნორმა, წარმოების ფასი, მიწის რენტა, კაპიტალიზმის განვითარება სოფ. მეურნეობაში. მარქსის ეკონ. მოძღვრების ძირითად ასპექტებში განხილვის საფუძველზე ლენინმა დაასკვნა, რომ „...კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევის გარდუვალობა მარქსს გამოპყავს სავსებით და მარტოოდენ თანამედროვე საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონიდან“ (იქვე, გვ. 70).

სტატიაში ცალკე თავი ეთმობა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ თეორიას. ლენინი წერს, რომ მარქსმა გამოაშკარავა ძვ. მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი (უუნარობა — გაეგო რევ. პრაქტ. მოღვაწეობის პირობები და დაეფასებინა მისი მნიშვნელობა) და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თეორ. მუშაობასთან ერთად მუდმივად აქცევდა ყურადღებას პოლიტ. კლასობრივი ბრძოლის საკითხებს. „...მატერიალიზმის ამ მხარის გარეშე მარქსი სამართლიანად თვლიდა მას ნახევრულ, ცალხმრივ, მკვდარ მატერიალიზმად“ (იქვე, გვ. 75). ლენინი ხაზს უსვამს პროლეტ. ტაქტიკის მარქსის მიერ შემუშავებულ საკითხებს: კაცობრიობის ისტ. ობიექტურად აუცილებელი დიალექტიკის გათვალისწინება, ეკონ. ბრძოლისა და პროფ. მოძრაობის პროგრამა და ტაქტიკა, პროლეტ. პოლიტ. ბრძოლის ტაქტიკა, მისი ლეგალური და არალეგალური ფორმების თანაფარდობა, მასების რევ. ინიციატივისათვის მხარდაჭერა.

ლენინის სტატიის ბოლო თავში მოცემულია ვრცელი ბიბლიოგრაფია მარქსისა და მარქსიზმის შესახებ. ლენინი მარქსის შეხედულებების სწორად შეფასებისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

ენგელსის შრომების შესწავლას: „არ შეიძლება გაიგო მარქსიზმი და არ შეიძლება მთლიანად გადმოსცე იგი, თუ ანგარიში არ გაუწევ ენგელსის ყ ვ ე ლ ა თხზულებას“ (იქვე, გვ. 97). *გ. ჩადუნელი.*

კარლ მარქსის პიკი, მწვერვალი პამირის სამხრ.-დას. ნაწილში, ტაჯ. სსრ-ში. შაჰდარის ქედის უმაღლესი მწვერვალი. სიმაღლე 6726 *მ*. გამყინვარების ფართ. 120 *კმ*².

კარლ-მარქს-შტადტი (Karl-Marx-Stadt) [1953-მდე ხ ე მ ნ ი ც ი (Chemnitz)], ქალაქი გდრ-ში, მდ. ხემნიცის ნაპირზე. კარლ-მარქს-შტადტის ოლქის ადმ. ცენტრი. 305,9 ათ. მცხ. (1976). სარკინიგზო და საავტ. გზების მნიშვნელოვანი კვანძი, აეროპორტი. წარმოიშვა XII ს-ში მადნიან მთებზე გამავალ სავაჭრო გზაზე. ჯერ კიდევ XIV ს-ში გახდა საფეიქრო მრეწვ. ცენტრი. საფეიქრო სპეციალიზაციამ განაპირობა საფეიქრო მანქანათმშ. განვითარება, რამაც მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვა. ამზადებენ ავტომობილებს, ჩარხებს, ველოსიპედებს, ავტომობილების ელექტრომოწყობილობას, გამომთვლელ ელექტრონულ მანქანებს, ელექტროხელსაწყოებს. განვითარებულია ქიმ., სამკერვალო მრეწვ., სპორტსაქონლისა და ავეჯის წარმოება. მანქანათსამშენებლო ინ-ტი, უმაღლესი ტექ. სკოლა და სხვ. აღდგენილია II მსოფლიო ომში თითქმის დანგრეული „წითელი კოშკი“ (XII ს.), ეკლესიები — იაკობიკირხე (XIV—XV სს.), ლიბფრაუენკირხე (XV ს.), შლოსკირხე (XV—XVI სს.); გვიანდ. გოტიკური რატუშა (XV ს. დასასრ., ახ. შენობა — 1911), XVIII ს. ბაროკოს სტილის საცხოვრ. სახლები, ყოფ. შოკენის უნივერმაღი (1929—30, არქიტ. ე. მენდელზონი). უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს ინდუსტრ., საცხოვრ. და საზ. მშენებლობა. ხორციელდება ცენტრის განაშენიანების გეგმა (1969, არქიტ. ლ. ჰანი და სხვ.). ცენტრ. მოედანზე დგას კ. მარქსის ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1971, საბჭ. მოქანდაკე ლ. კერბელი).

კარლ-მარქს-შტადტი (Karl-Marx-Stadt), ოლქი გდრ-ში. მოსახლ. მიხედვით პირველ ადგილზეა ქვეყანაში, სამრეწვ. მნიშვნელობით — მეორეზე. ფართ. 6 ათ. *კმ*². მოსახლ. 1968,7 ათ. კაცი (1976), მ. შ. 80%-ზე მეტი ქალაქად ცხოვრობს.

მდებარეობს ქვეყნის სამხრ. ნაწილში, მადნიანი მთების ჩრდ. კალთებზე და ფოგტლანდის პლატოზე. ჰავა ზომიერია. ნალექები 650 *მმ*-იდან (მთისწინეთში) 1000 *მმ*-ზე მეტი (მთაში).

სოციალ. განვითარების წლებში ტრად. საფეიქრო მრეწველობასთან ერთად განვითარდა საერთო და სატრანსპ. მანქანათმშ., ამზადებენ საფეიქრო მანქანებსა და ლითონდასამუშ. ჩარხებს (ქ. კარლ-მარქს-შტადტი), მსუბუქი და კვების მრეწვ. მოწყობილობას, ავტომობილებს (ცეიკაუ, კარლ-მარქს-შტადტი, ჰაინიხენი, ვერდაუ), მოტოციკლებს (ცშოპაუ), ველოსიპედებს (კარლ-მარქს-შტადტი), ელექტროტექ. და ელექტრონიკის ნაწარმს. განვითარებულია ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დასამუშ. მრეწველობა. იღებენ ქვანახშირს, ტყვიის, თუთიის, ვოლფრამის, კალის, ნიკლის, ბისმუთის მადანს. ამზადებენ მუს. ინსტრუმენტებს (კლინგენთალი). სოფ. მეურნეობაში წამყვანია სარძეო მეცხოველეობა. არის ჭვავის, შვრიის, კარტოფილის, საკვები ბალახის ნათესები. კურორტები. განვითარებულია ტურიზმი.

კარლო ალბერტო (Carlo Alberto) (2. X. 1798, ტურინი, — 28. VII. 1849, პორტუ), პიემონტის (სარდინიის სამეფო) მეფე 1831—49. 1848—49 რევოლუციის დროს შემოიღო ზომიერი ლიბერ. კონსტიტუცია (ე. წ. *ალბერტოს სტატუტი*); ატარებდა კომპრომისულ პოლიტიკას. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გავლენით ომი გამოუცხადა ავსტრიას. *ავსტრია-იტალიის ომში* (1848—49) იტალ. დამარცხების შემდეგ ტახტიდან გადადგა (1849 წ. 23 მარტს) და პორტუგალიაში გაიქცა.

კარლოვაცი (Karlovac), ქალაქი იუგოსლავიაში, ხორვატიის სრ-ში, მდ. კუპის (სავის შენაკადი) ნაპირზე. 49 ათ. მცხ. (1973). დიდი სატრანსპ. კვანძი. ელექტროტექ. ქ-ნა, ტყავის, კერამ., ხის დასამუშ., თამბაქოს მრეწველობა. კ-ის მახლობლად, ქ. დუგა-რესაში არის დიდი საფეიქრო კომბინატი.

კარლოვი-ვარი, კ ა რ ლ ს ბ ა ´დ ი (ჩეხ. Karlovy Vary < ჩეხიის მეფის კარლ I-ის სახელი და vary — ცხელი წყაროები; გერმ. Karlsbad), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში, დას. ჩეხიის ოლქში. მდებარეობს ოგრჟეს ხეობაში, მდ. ტეპლის შესართავთან, 380 *მ* სიმაღლეზე, პრაღიდან 120 *კმ*. 61 ათ. მცხ. (1976). გარეუბანში არის ფაიფურის დიდი ქ-ნა. ქალაქში ტარდება საერთაშ. კინოფესტივალები.

კ.-ვ. ბალნეოლ. კურორტია. დაარსდა 1347—58. ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის თბილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 17,3°C) და ძალიან რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —2°C). ნალექები 620 *მმ* წელიწადში. სამკურნ. საშუალება: ნახშირმჟავა სულფატურ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი თერმული წყაროების წყალი (ტემპ-რა 41,2-იდან 72,2°C-მდე), რ-საც იყენებენ სასმელად, ჩამოსასხმელად, აბაზანებისათვის, შესასხურებლად, ინჰალაციისათვის, ნაწლავების ამოსარეცხად და სხვ.; ტორჩის ტალახით მკურნალობა. მთავარი წყაროს — ვრჟიდლოს (შპრუდელი) გეიზერის წყლისაგან იღებენ კ ა რ ლ ო ვ ი-ვ ა რ ი ს მ ა რ ი ლ ს. სამედ. ჩვენება: ღვიძლის, სანაღვლე გზების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და საშარდე გზების დაავადებანი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა. სანატორიუმები, პანსიონატები.

კარლოვიცის ზავი 1699, კარლოვიცის საერთაშორისო კონგრესზე (1698 — 99) დადებული საზავო ხელშეკრულებების ლიტერატურაში მიღებული სახელწოდება. კონგრესი შეიკრიბა „წმინდა ლიგაში“ შემავალ ქვეყნებსა (ავსტრია, ვენეცია, პოლონეთი, რუსეთი) და ოსმალთა იმპერიას შორის ზავის დასადებად. „წმინდა ლიგის“ ქვეყნებმა მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გამო ცალ-ცალკე დადეს კავშირი ოსმალეთთან (პოლონეთმა 1699 წ. 16 იანვ., ავსტრიამ და ვენეციამ 26 იანვ.), ხოლო რუსეთმა 24 იანვ. დადო მხოლოდ ორწლიანი ზავი ოსმალეთთან, რ-იც შემდეგ შეიცვალა კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებით (1700). პოლონეთმა მიიღო მარჯვ. ნაპირის უკრაინის ნაწილი და პოდოლია, ავსტრიამ — უნგრ. ტერიტ. დიდი ნაწილი, ტრანსილვანია, ხორვატია და თითქმის მთელი სლავონია, ვენეციამ — მორეა, არქიპელაგის კ-ები და ციხესიმაგრეები დალმაციაში; რუსეთს დარჩა აზოვი.

კარლოვო (1953—62 წლებში ლ ე ვ ს კ ი გ რ ა დ ი), ქალაქი სამხრ. ბულგარეთში, კარლოვოს ქვაბულში, სტარა-პლანინისა და სრედნა-გორის მთებს შორის. 23,5 ათ. მცხ. (1971). ეთერზეთოვანი კულტურების (კაზანლიკური ვარდი, ლავანდი) გადამუშავება. მანქანათმშ., ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების წარმოება. კვების მრეწველობა. ბალნეოლ. კურორტი. ტურიზმი. კ. ბულგ. რევოლუციონერის ვ. ლევსკიის სამშობლოა.

კარლოს I (Carlos), ესპანეთის მეფე 1516—56, „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი 1519—56 *კარლ V-ის* სახელით.

კარლოს დიდი (ლათ. Carolus magnus, აქედან ფრანგ. Charlemagne) (2. IV. 742—28. I. 814, აახენი), ფრანკთა მეფე 768-იდან, „რომაელთა იმპერატორი“ 800-იდან პიპინიდთა ანუ არნულფინგთა დინასტიიდან (შემდგომ *კაროლინგების* დინასტია ეწოდა). თავდაპირველად მართავდა სამეფოს ნაწილს (*ავსტრაზია*, ნოისტრიისა და *აკვიტანიის* ნაწილი). თავისი ძმის კარლომანის, გარდაცვალების შემდეგ (771) ფრანკთა სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა. ომების შედეგად [ლანგობარდების (773 — 774, 776 — 777), ბავარიის ჰერცოგის ტასილონის (788), საქსების (772—804), ესპანეთში არაბების (778—779, 796—810), ავარების (791—799), დას. სლავ. ტომების (789—806), დანიელი ნორმანების (810) და სხვ. წინააღმდეგ] გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები. სასაზღვრო ოლქებში შექმნა სამხ. ორგანიზაციები — „მარკები“, გაატარა სამხ. რეფორმა (კაპიტულარი, 808), რ-ითაც არმიის ძირითად ნაწილად ცხენოსანი რაინდობა იქცა, განამტკიცა მიწათმფლობელთა პრივილეგიები *იმუნიტეტის* საშუალებით, ამორჩეული მოსამართლეები შეცვალა მსხვილ მიწათმფლობელთაგან შერჩეული სკაბინებით; საპერცოგოები დაშალა საგრაფოებად, რ-თაც სათავეში მეფის მოხელე გრაფები ჩაუყენა. სამეფო კარი მათ კონტროლს უწევდა „მეფის შიკრიკების“ (missi dominici) საშუალებით. კ. დ-ს დიპლ. ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტ. იმპერატორებთან, ასტურიისა და ანგლოსაქსთა მეფეებთან, სლავთა მთავრებთან, ბაღდადის ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდთან. მის დროს აღინიშნებოდა კულტ. აღმავლობა (იხ. *„კაროლინგური აღორძინება“*). 800 რომში იმპერატორად ეკურთხა. კ. დ-ის იმპერია წარმოადგენდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ტომებისა და ხალხების ვეებერთელა მსოფლიო მნიშვნელობის გაერთიანებას. კ. დ-ის პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფრანკთა საზ-ბის ფეოდალიზაციას, გლეხობის ფეოდ. დამოკიდებულების გაძლიერებას და მსხვილი მიწათმფლობელების ძალაუფლების ზრდას, რითაც მომზადდა საფუძველი კ. დ-ის ვრცელი იმპერიის დაშლისათვის. კ. დ-ის მემკვიდრეთა მმართველობის დროს ფრანკთა იმპერია დაიშალა (იხ. *ვერდენის ხელშეკრულება 843*).

ლიტ.: E p p e r l e i n S., Karl der Große, B., 1971.

კარლოსი, დ ო ნ კ ა რ ლ ო ს ი (Don Carlos) (8. VII. 1545, ვალიადოლიდი, — 24. VII. 1568, მადრიდი), ესპანეთის ტახტის მემკვიდრე, ფილიპე II-ის ძე. მამასთან უთანხმოების გამო უნდოდა გაქცევა ესპანეთიდან, მაგრამ ფილიპე II-ის განკარგულებით დააპატიმრეს და ჩასვეს მადრიდის ციხეში (18. I. 1568). გარდაიცვალა პატიმრობაში. მის ცხოვრებაზე არა ერთი ლეგენდა და მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა. გაიდიალებულია შილერის ტრაგედიაში „დონ კარლოსი“ (1787), ჯ. ვერდიმ დაწერა ოპერა „დონ კარლოსი“ (1867).

კარლოს მარტელი (Carolus Martellus) (დაახლ. 688 — 22. X. 741, კერსი), მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოს მაიორდომი (715-იდან), პიპინ ჰერისტალელის ძე. პიპინიდთა ანუ არნულფინგთა დინასტიის წარმომადგენელი. 716 და 717 დაამარცხა აჯანყებული ნოისტრიელი დიდკაცობა და აღადგინა ფრანკთა სამეფოს მთლიანობა. მეფეებად ნიშნავდა მეროვინგების დინასტიის წარმომადგენლებს. განამტკიცა მაიორდომის სოც. დასაყრდენი და ფრანკთა სამეფოს სამხ. ძლევამოსილება. ეომებოდა საქსებს, დაიმორჩილა ფრიზები, ბავარები (728), ალემანები (730); ხელი შეუწყო მისიონერთა მოღვაწეობას და მათ მიერ გერმანელ ტომებში ქრისტიანობის გავრცელებას. 732 მოიპოვა ძლევამოსილი გამარჯვება პუატიესთან (იხ. *პუატიეს ბრძოლა 732*). სიკვდილის წინ სამეფო გაუნაწილა თავის ორ ძეს — კარლომანსა და *პიპინ მოკლეს*.

გ. ჟორდანია.

კარლ რობერტი (Károly Róbert) (1288—16. VII. 1342, ვიშეგრადი), უნგრეთის მეფე 1308—42. *ანჟუს დინასტიის* დამაარსებელი უნგრეთში. კ. რ-ის მეფობის დროს განმტკიცდა ცენტრ. ხელისუფლება, რ-საც

კარლ-მარქს-შტადტი. ბრიუკენშტრასე. მაღლივი საცხოვრებელი სახლი და ადმინისტრაციული შენობები. 1960-იანი წლები.

კარლოს დიდი. ბრინჯაოს სტატუეტი. დაახლ. 870(?). ლუვრი. პარიზი.



კარლსრუე. სასახლე. 1752-82. არქიტექტორები ლ. ფ. დე ლა გეპიერი, ფ. ა. კესლაუ.

რ. კარმენი.

კ. კარმი.

კ. კარმი ანტონიუსის როლში [უ. შექსპირის "ანტონიუსი და „კლეოპატრა"].



კარლშტეინი. 1348 — 57. არქიტექტორები მატიე არასელი, პეტერ პარლერეკი.

მხარს უჭერდა ეკლესია, წვრილი თავადაზნაურობა და მოქალაქეები; იზრდებოდა ქ-ები, ვითარდებოდა ვაჭრობა და სამთო საქმე. 1335 კ. რ-მა სავაჭრო შეთანხმება დადო ჩეხიასთან და პოლონეთთან. წარუმატებლად ებრძოდა ვენეციას, სერბიას, ვლახეთს.

კარლსბადი (Karlsbad), ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქის *კარლოვი-ვარის* გერმ. სახელწოდება.

კარლსბადის მღვიმე, კარსტული მღვიმე აშშ-ში, გუადალუპეს მთებში, ნიუმექსიკის შტატში, ქ. კარლსბადის სამხრ.-დას-ით. სიღრუეთა მოცულობით უდიდესია მსოფლიოში. სიღრმე 339 *მ*, დარბაზებისა და გასასვლელების ჯამური სიგრძე დაახლ. 12 *კმ*. მიწისქვეშა დარბაზების სილამაზე იზიდავს ბევრ ტურისტს. 1930-იდან ეროვნული პარკია.

კარლსკრონა (Karlskrona), ქალაქი და ნავსადგური სამხრ. შვეციაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე, უმთავრესად კუნძულებზე, მდ. ლიუკებიუონის შესართავში. ბლეკინგეს ლენის ადმ. ცენტრი. 60 ათ. მცხ. (1977). გემთსაშენი და ელექტროტექ. (ტელეფონები და სატელეფონო მოწყობილობა) მრეწველობა, ფაიფურისა და კაფელის წარმოება. თევზსარეწაო ფლოტის ბაზა.

კარლსკუგა (Karlskoga), ქალაქი ცენტრალურ შვეციაში, ერებრუს ლენში, მეკელნის ტბასთან. 38 ათ. მცხ. (1976). მეტალ., მანქანათსაშ., ქიმ., ფარმაცევტული და ხე-ტყის სახერხი მრეწველობა. სამხ.-სამრეწვ. კონცერნის „ბოფორსის" მთავარი სამრეწვ. ცენტრი.

კარლსრუე (Karlsruhe), ქალაქი გფრ-ში, მდ. რაინის მახლობლად (უკავშირდება არხით), ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში. 276,6 ათ. მცხ. (1976). დიდი სატრანსპ. კვანძი, სამდ. ნავსადგური. გფრ-ის სამხრ.-დას. ნაწილის საწვავის განმანაწილებელი ცენტრი (ნავთობი კ-ში მიდის მარსელიდან წყლის გზითა და ნავთობსადენით). ნავთობსახდელი ქ-ნა, სატრანსპ. და ელექტროტექ. მანქანათმშ., ლითონდასამუშ., ქიმ., პოლიგრ., კვების მრეწველობა. კ-დან 10 *კმ*-ზე არის ატომური კვლევის ცენტრი (ლეოპოლდსჰაფენი). უნტი. სახვითი ხელოვნ. სახელმწ. აკადემია, ბადენის მხარის მუზეუმი (სიძველეთა კოლექცია), სამხატვრო მუზეუმი.

ქალაქი განაშენიანებულია რადიალურ-წრიული გეგმით. ბაროკოს სტილის სასახლიდან (1752—82, არქიტ. ლ. ფ. დე ლა გეპიერი, ფ. ა. კესლაუ) ჩრდ-კენ მარაოსებრ იშლება საპარკო ხეივნები, ხოლო სამხრ-კენ — ქალაქის ქუჩები. XIX ს. I მესამედში არქიტ. ფ. ვაინბრენერმა კ-ში ააგო კლასიცისტური შენობები.

კარლსტადი (Karlstad), ქალაქი და ნავსადგური შვეციაში, ვენერნის ტბის ჩრდ. ნაპირზე, მდ. კლარელვენის შესართავში. ვერმლანდის ლენის ადმ. ცენტრი. 72 ათ. მცხ. (1977). მანქანათსაშ. (ავიადა ტურბომშენებლობა, ქაღალდსაკეთებელი მანქანები), მსუბუქი და კვების მრეწველობა. ხე-ტყის დაცურების ბოლო პუნქტი. კ-ის მახლობლად არის დიდი ხეტყის სამრეწვ. კომბინატი. გააქვთ ხე-ტყის მასალა, ცელულოზა, ქაღალდი, მანქანათმშ. პროდუქცია. უნ-ტის ფილიალი.

კარლტონვილი (Carletonville), ქალაქი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში, ტრანსვაალის პროვინციაში. 93 ათ. მცხ. (1970), მ. შ. დაახლ. 80 ათ. ბანტუ. *ვიტვატერსრანტის* ოქროს სამრეწვ. რ-ნის ერთ-ერთი ცენტრი. კვებისა და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები.

კარლშტადტი (Karlstadt) (ნამდვ. სახელი და გვარი ანდრეას ბოდენშტაინი, Bodenstein; სახელი კ. ეწოდა დაბადების ადგილის—ქვემოფრანკონული ქ. კარლშტადტის მიხედვით) (დაახლ. 1480—24. XII. 1541, ბაზელი), ბიურგერული რეფორმაციის მოღვაწე გერმანიაში. ვიტენბერგის (1518-იდან) და ბაზელის (1534-იდან) უნ-ტების პროფესორი. 1517 მიემხრო მ. *ლუთერს*. მოგვიანებით ლუთერზე უფრო გაბედულად მოითხოვდა რელიგ. ცხოვრების გარდაქმნას. 1521—22 მისმა მომხრეებმა ვიტენბერგში საეკლ. გადატრიალება მოაწყვეს — გაიტანეს ეკლესიებიდან ხატები, გააუქმეს *ცელიბატი* და ა. შ. კ. ილაშქრებდა რეფორმაციის მხოლოდ რელიგ. სფეროთი შემოფარგვლის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს უარყოფდა სოც. გადატრიალების იდეებს, რ-საც თ. *მიუნცერი* ქადაგებდა.

კარლშტეინი (Karlštejn), კარლუვტინი (Karluv Týn), ციხე-დარბაზი ჩეხოსლოვაკიაში, მდ. ბეროუნკაზე, პრაღის სამხრ.-დას-ით 28 *კმ*-ზე. გოთიკური ხუროთმოძღვრების ძეგლი. კარლ IV-ის საგანძური. აგებულია 1348—57 არქიტ. მატიე არასელისა და პეტერ პარლერჟის მიერ მაღალ კლდეზე (72 *მ*). კომპლექსში შედის დონჟონის ირგვლივ განლაგებული შუა საუკუნეთა სიმაგრეები, ღვთისმშობლის ეკლესია კედლის მხატვრობით (XIV ს. დასასრ.), წმ. ეკატერინეს (ამავე ხანის ვიტრაჟით) და სხვა კაპელები. ამჟამად კ-ში ციხე-დარბაზის ისტორიისა და შუა საუკუნეთა ხელოვნ. მუზეუმია.

კარმა (სანსკრ. — ქმედობა, მოქმედება, მოქმედების ნაყოფი), ინდური ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ცნება, ავსებს მოძღვრებას გარდასახვის შესახებ. კ. *ვედებიდან* შეეიდა თითქმის ყველა ინდ. რელიგ.-ფილოს. სისტემაში და *ინდუიზმის, ბუდიზმის, ჯაინიზმის* არსებითი ნაწილი გახდა. კ-ის თანახმად ადამიანის ყოველი მოქმედების, ქცევის პირდაპირი შედეგია მისი „მომავალი ცხოვრება" — გარდაცვალების შემდეგ, როცა იგი ახ. სხეულში გარდაისახება. მხოლოდ უმწიკვლო ცხოვრებით აღწევს ადამიანი *სანსარისა* და *ნირვანის* მდგომარეობას.

კარმალიუკი, კარმელიუკი, უსტიმ იაკიმის ძე [27. II. (10. III). 1787—10 (22). X. 1835], მარჯვენა ნაპირის უკრაინის ანტიბატონყმური აჯანყების წინამძღოლი. დაიბადა ყმა-გლეხის ოჯახში. 1812 მემამულემ ჯარში განაწესა, მაგრამ გაიქცა. 1813 აჯანყებული ყმებისაგან შექმნა რაზმი. რაზმელები არბევდნენ მემამულეთა სახლებს; ნადავლ ფულსა და საქონელს ყმებს ურიგებდნენ. აჯანყებამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია 1832—35. კ. არაერთგზის ჩაუვარდა ხელთ მეფის მოხელეებს. ოჯდა ციხეში, იყო კატორღაში, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა გაქცევას და ბრძოლის გაგრძელებას. ბოლოს ღალატით მოკლეს. უკრ. ხალხმა მრავალი ლეგენდა და სიმღერა შექმნა კ-ზე, მისი პიროვნება აისახა უკრ. ლიტერასა და მხატვრობაში.

ლიტ.: Канивец В. В., Кармалюк, М., 1965.

„კარმანიოლა" [ფრანგ. carmagnole < —იტალ. Carmagnola—ქალაქის სახელწოდება პიემონტში (იტალია)], ფრანგული ხალხური რევოლუციური საცეკვაო სიმღერა. პირველად აყღერდა პარიზში ტიუილრის სასახლის აღების შემდეგ (1792 წ. 10 აგვ.). „კ-ს" პირველი ტექსტი შეთხზეს მარსელელებმა სამხრ. საფრ. ტრად. ხალხური საგუნდო სიმღერის ჰანგზე (შემდეგში ამ ჰანგზე იმღერებოდა სხვადასხვა ტექსტები). ნაპოლეონ I-ის მიერ აკრძალული „კ." კვლავ აღდგა 1830 და 1848 რევოლუციებისა და პარიზის კომუნის (1871, ჟ. ბ. კლემანის სიტყვებზე) პერიოდში. „ინტერნაციონალის" შექმნამდე ფრანგი მუშების ყველაზე პოპულარული სიმღერა იყო. სსრკ-ში გავრცელდა 1920-იან წლებში ვ. კორშონის ახ. ტექსტით.

კარმატები, ისმაილიტების მუსლიმანური შიიტური სექტის ერთ-ერთი განშტოების მიმდევრები. აღმოცენდა IX ს-ში სამხრ. ერაყში. ძირითად მასას გლეხები, მომთაბარე ბედუინები, ხელოსნები შეადგენდნენ. კ-ის რელიგ.-ფილოს. სისტემა ისმაილიტებისაგან იყო აღებული, სოც. იდეალი კი მიწაზე თემური მიწათმფლობელობის აღდგენა, საყოველთაო თანასწორობა (მონებზე არ ვრცელდებოდა) იყო. 899 კ. დაეუფლნენ ბაჰრეინს და ელ-აჰსში (აღმ. არაბეთი) შექმნეს თავიანთი სახელმწიფო, რ-მაც XI ს. ბოლომდე იარსება. კ-ის სახელმწიფოში ჭარბობდნენ თავისუფალი მიწათმოქმედნი და ხელოსნები, რ-ებიც გადასახადს არ იხდიდნენ. სახელმწიფოს ჰყავდა 30 ათ. მონა. ღაზნევიდთაგან სასტიკმა დევნამ, შინაბრძოლებმა დაასუსტა კ. და XI ს. ბოლოს და XII ს. დასაწყისში სექტამ არსებობა შეწყვიტა.

კარმელიტები, კათოლიკური მათხოვრულ-მონაზვნური ორდენის წევრები. დაარსა პალესტინაში XII ს. II ნახევარში იტალ. ჯვაროსანმა ბერტოლდმა. კ-ის პირველი მონაზვნური თემი მდებარეობდა კარმელის მთაზე (აქედან მათი სახელწოდება). კ-ის წესდება დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ 1226. ჯვაროსნული ლაშქრობების მარცხის შემდეგ, XIII ს-ში კ. გადასახლდნენ ევროპაში, სადაც 1245 ან 1247, პაპი ინოკენტი IV-ის დროს, ორდენი მათხოვრულ ორდენად გარდაიქმნა. XVI ს-ში ორდენი რეფორმის შედეგად ორად გაიყო (კ. და ფეხშიშველი კ.). 1972 ორდენი აერთიანებდა დაახლ. 8 ათ. მონაზონს, ხოლო კ-ის დედათა ორდენი (დაარსდა 1452) 12 ათ-ზე მეტ მონაზონს. ორდენის ცენტრი არის რომში.

კარმენი რომან ლაზარეს ძე [16 (29). XI. 1906, ოდესა, — 28. IV. 1978, მოსკოვი], საბჭ. კინოოპერატორი, კინორეჟისორი, ჟურნალისტი და სცენარისტი. სსრკ სახ. არტისტი (1966). სოციალისტური შრომის გმირი (1976). სკკპ წევრი 1939-იდან. 1936—39 ესპ. ეროვნ.-რევ. ომის თემაზე კ-ის მიერ გადაღებულ (ბ. მაკასეევთან ერთად) მასალაზე შეიქმნა კინოქრონიკის 22 გამოშვება, დოკუმენტური ფილმი „ესპანეთი" (1939), 1968 — ფილმი-კინოპოემა „გრენადავ, გრენადავ, გრენადავ ჩემო...". სამამულო ომის წლებში მონაწილეობდა შემდეგი ფილმების გადაღებაში: „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან" (1942), „ბერლინი" (1945) და სხვ. 1946 გადაიღო ფილმი ნიურნბერგის პროცესზე „ხალხთა სამსჯავრო". კინომატიანის მასალით შექმნა ფილმი „დიდი სამამულო" (1965). სხვა ფილმებია: „საბჭოთა საქართველო" (ს. დოლიძესთან ერთად, 1951), „მოთხრობა კასპიელ მენავთობეებზე" (1953) და „ზღვის დამპყრობნი" (1959). ამ ორი ფილმისა-

თვის მიენიჭა ლენინური პრემია (1960). მან შექმნა პირველი პანორამული ფილმი „ვრცელია ჩემი ქვეყანა“ (1958), „ამხანაგი ბერლინი“ (1969), 20-სერიანი ფილმი-ეპოპეა „დიდი სამამულო“ (1978). ჰ. იყო კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის პედაგოგი (1970-იდან პროფესორი). დაჯილდოებულია 5 ორდენითა და მედლებით. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1942, 1947, 1952, 1975).

კარმი (ნამდვ. გვარი ლიანტსი) კაარელ [5 (18). X. 1906, ნარვა, — 10. VIII. 1979, ტალინი], ესტონელი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1956). 1925—49 იყო თეატრ „ესტონეთის“ მსახიობი. 1949-იდან მოღვაწეობს ესტ. ვ. კინგისეპის სახ. დრამის თეატრში (ტალინი). საუკეთესო როლები: ჰამლეტი, ოტელო (შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“), მეფისტოფელი (გოეთეს „ფაუსტი“), არბენინი (ლერმონტოვის „მასკარადი“), რალფი, ალანი (იაკობსონის „ცხოვრება ციტადელში“, „ტურები“), კუსტას ლოკი, მარტ ტუისკი (რანეტის „სინდისი“, „უძღები შვილი“) და სხვ. მოღვაწეობს კინოშიც. ესტ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949, 1959).

კარმირ-ბლური, იხ. *თეიმურაზიანი.*

კარნავალი (ფრანგ. carnaval, იტალ. carnevale, შესაძლოა < ლათ. carrus navalis — გასართობი ეტლი, სადღესასწაულო პროცესიის ხომალდი), სახალხო სეირნობა, მასობრივი მსვლელობა, თეატრალიზებული თამაშობები და სხვ. ეწყობოდა ღია ცის ქვეშ. ჩაისახა წარმართულ დღესასწაულებში. XVIII ს-ში განსაკუთრებით პოპულარული იყო იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. კ-ები დღესაც იმართება ლათ. ამერიკაში, ესპანეთში. სსრკ-ში კ. ეწყობა ახალგაზრდული, ფიზკულტურული და სხვ. დღესასწაულების დროს.

კარნაკი (ძვ. ეგვ. იფეტ-ისუთი), სატაძრო კომპლექსი (ძვ. წ. XX ს.—ძვ. წ. I ათასწლ. დასასრული), სახელი ეწოდა ძვ. თებეს ტერიტორიაზე მდებარე ამავე სახელწოდების სოფლის მიხედვით. კ. ეგვიპტის ახ. სამეფოს დროს (ძვ. წ. XVI—XI სს.) მთავარი სამლოცველო იყო. ღმერთ ამონრას ტაძარი (ძვ. წ. XVI—XII სს., შენდებოდა ელინისტურ და რომის ხანაშიც) შედგება გრძივ ღერძზე თანამიმდევრულად განლაგებული დიდი და მცირე დარბაზებისა და ეზოებისაგან. ყოველი დიდი სამშენებლო პერიოდის დასასრულს ტაძარს ავლებდნენ ახ. გალავანს, ხოლო ფასადებზე აღმართავდნენ 2 კოშკს — პილონს ზედ მიდგმული ობელისკებითა და ქანდაკებებით. ტაძრის მახლობლად ღმერთ ხონსუს (ძვ. წ. XII ს.), ქალღმერთ მუტის (ძვ. წ. XVI—XV სს.) და სხვ. ტაძრებია. მთავარი ტაძრიდან ნილოსისკენ მიემართება სფინქსების ხეივანი.

კარნაკი (Carnac), დასახლებული პუნქტი სამხრ. ბრეტანში (საფრანგეთი), სადაც მდებარეობს ნეოლითის დასასრულისა და ბრინჯაოს ხანის დასაწყისის (ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ. — ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) მეგალითური ნაგებობანი: მენჰირების ხეივანი, კრომლეხები, ოვალური და მოგრძო გორასამარხები (ზოგი სამარხი კამერებიანია, ზოგი — უკამერო).

ლიტ.: Carnac, წგნ.: The concise encyclopedia of archaeology, 2 ed., L., 1970; Le Rouzic Z., Carnac, [Rennes], 1955.

კარნაკი. მენჰირების ხეივანი კარნაკთან.

კარნალიტი [სახელი ეწოდა გერმ. გეოლოგის რ. კარნალის (R. von Carnall) პატივსაცემად], ქლორიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $KCl \cdot MgCl_2 \cdot 6H_2O$. შეიცავს Br, Li, Rb, Cs, აგრეთვე თიხის მინერალების, ჰემატიტისა და სხვ., ნაწილაკების მინარევებს მცირე რაოდენობით. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. აგრეგატები მარცვლოვანი აქვს, უფერო ან მურაწითელი. აქვს ცხიმოვანი ელვარება, გემო მომწარო-მლაშე. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2—3; სიმკვრივე 1600 *კგ/მ*³. ჰ. კალიუმის სასუქთა, Mg და Br ერთ-ერთი ძირითადი ნედლეულია. ჰ-ის უდიდესი საბადოები არის სსრკ-ში (სოლიკამსკი), გდრ-ში, გფრ-ში, აშშ-ში, ტუნისში.

კარნაპი (Carnap) რუდოლფ (18. V. 1889, ვუპერტალი, — 16. IX. 1970, სანტა-მარია, კალიფორნია), გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი და ლოგიკოსი, *ლოგიკური პოზიტივიზმისა* და მეცნ. ფილოს. წარმომადგენელი. დევნიდნენ ფაშისტები. 1935-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. წინააღმდეგი იყო რასობრივი დისკრიმინაციისა და აშშ-ის აგრესიისა ვიეტნამში. დაამუშავა ლოგიკური სინტაქსის, ლოგიკური სემანტიკის, ინდუქციური ლოგიკისა და მოდალური ლოგიკის საკითხები. ბურჟ. ფილოსოფიაში ჩამოაყალიბა, დაიცვა და განავითარა ლოგიკური პოზიტივიზმის ძირითადი იდეები, განსაკუთრებით დაამუშავა ფილოს. მეცნ. ლოგიკაზე დაყვანის, ფორმალურ და რეალურ მეცნიერებათა მიმართების, მეცნ. ერთიანობის, ფიზიკის ფილოს. ინტერპრეტაციის და სხვ. პრობლემები. ჰ-ის პრინციპული შეცდომაა ფილოს. მსოფლმხედველობრივი შინაარსის უარყოფა და მისი დაყვანა მეცნ. ლოგიკაზე.

ლიტ.: ერქომაიშვილი ვ., რუდოლფ კარნაპი, წგნ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970 (ახლავს ჰ-ის შრომების ბიბლიოგრ.); Нарский И. С., Современный позитивизм, М., 1961.

ვ. ერქომაიშვილი.

კარნაუხოვი მიხეილ მიხეილის ძე [2 (14). III. 1892, ორენბურგი, — 22. XII. 1955, ლენინგრადი], საბჭ. მეტალურგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). დაამთავრა პეტროგრ. პოლიტექ. ინ-ტი (1914). 1920-იდან ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტის პედაგოგი, ხოლო 1927-იდან — პროფესორი. 1953-იდან სსრკ მეცნ. აკად. მეტალ. ინ-ტის ლენინგრ. ლაბორ. გამგე, მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ფოლადის წარმოების მარტენის, ბესემერის და ტომასის პროცესების ფიზ.-ქიმ. საფუძვლების შესწავლას, ფოლადის სხმულის კრისტალიზაციას. ჰ-ის მრავალი იდეა საფუძვლად დაედო ფოლადის წარმოების იმ სქემებს, რ-ებსაც წარმატებით იყენებენ ჩვენი ქვეყნის ქ-ნებში. სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

კარნე (Carné) მარსელ (დ. 18. VIII. 1909, პარიზი), ფრანგი კინორეჟისორი. კინოში მუშაობს 1928-იდან, იყო რეჟისორის ასისტენტი და ჟურნალისტი. მისი პირველი დამოუკიდებელი სრულმეტრაჟიანი ფილმია ფსიქოლ. დრამა „ჟენი“ (1936). შემდეგ ბურჟ. ცხოვრების მანკიერებათა ასახვას მიუძღვნა გროტესკული, სატირული კომედია „გასართობი დრამა“ (1937). იგივე თემა ტრაგიკულ ასპექტში წარმოგვიდგინა ფილმებში „ნისლიანი სანაპირო“ (1938), „დღე იწყება“ (1939), რ-ებმაც სახელი გაუთქვეს ჰ-ს, როგორც „პოეტური რეალიზმის“ ოსტატს ფრანგ. კინოხელოვნებაში. სხვა ფილმებია: „საღამოს სტუმრები“ (1942, შუა საუკ. ლეგენდის მიხედვით), „ქანდარის შვილები“ (1945), „ჟულიეტი ანუ სიზმრების გასაღები“ (1951), „ტერეზ რაკენი“ (1953, ე. ზოლას მიხედვით), „მატყუარები“ (1956) და სხვ.

კარნეადე კირენელი (Karneadēs) (ძვ. წ. 214—129), ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონის აკად. მეთაური და ე. წ. ახ. (მე-3) აკად. დამაარსებელი. ანტ. სკეპტიციზმის სულისკვეთებით განავითარა მოძღვრება ალბათობის შესახებ. ებრძოდა დოგმატიზმს (ეპიკურეელებსა და სტოელებს). მისთვის მთავარი იყო დაემტკიცებინა დებულება, რომ არ არსებობს ჭეშმარიტების კრიტერიუმი: იგი არ შეიძლება იყოს არც შეგრძნება, არც წარმოდგენა და არც აზროვნება, რადგან ყოველ მათ განში არის შეცდომა. 156—155 ჰ. მონაწილეობდა ფილოსოფოსთა ელჩობაში რომში.

კარნიზი (გერმ. Karnies; პირველწყარო: ბერძნ. kōronís — დასასრული, დაგვირგვინება), ლავგარდანი, ჰორიზონტალური შვერილი კედელზე, რ-საც უჭირავს შენობის სახურავი (გადახურვა) და იცავს კედელს ჩამომდინარე წყლისაგან. აქვს დეკორ. დანიშნულებაც. ჰ. შეიძლება იყოს ზედა (დამაგვირგვინებელი, მაგ.; ანტაბლემენტში) და შუალედური.

კარნის ალპები (გერმ. Karnische Alpen, იტალ. Alpi Carniche), ქედი აღმ. ალპებში, ავსტრიისა და იტალიის საზღვარზე. სიგრძე 120 *კმ*, სიმაღლე 2780 *მ*-მდე (მთა ჰოე-ვარტე). უმთავრესად აგებულია კრისტ. ფიქლებითა და კირქვებით. აქვს ვიწრო თხემი და ციცაბო კალთები. შემოსილია ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით.

კარნო (Carnot) ლაზარ ნიკოლა (13. V. 1753, ნოლე, — 2. VIII. 1823, მაგდებურგი), საფრ. სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მათემატიკოსი, საფრ. ინ-ტის (აკადემიის) წევრი (1796). სამხ. ინჟინერი. საკანონმდებლო კრების (1791—92) და კონვენტის (1792—95) წევრი. ჰ. ითვლება ახ. რევ. სამხ. სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთ-ერთ შემოქმედად. უკმაყოფილო იყო იაკობინელ-რობესპიერისტთა პოლიტიკისა და *თერმიდორული გადატრიალების* დროს მ. რობესპიერის წინააღმდეგ გამოვიდა. 1795—97 იყო *დირექტორიის* წევრი. 18 ფრუქტიდორის გადატრიალების (1797 წ. 4 სექტ.) შემდეგ გაიქცა საზღვარგარეთ (შვეიცარია, ბავარია). 1800 ნაპოლეონ ბონაპარტმა ჰ. სამშობლოში დააბრუნა და სამხ. მინისტრად დანიშნა. 1802 აირჩიეს ტრიბუნატის წევრად. 1804 ჰ-მ, მხარი არ დაუჭირა იმპერიის გამოცხადებას, თუმცა ნაპოლეონის მიმდევრად დარჩა. მიუხედავად ამისა, ნაპოლეონ I-მა მას გრაფისა და პერის ტიტული უბოძა. „ასი დღის“ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. ბურბონთა რესტავრაციის შემდეგ საფრანგეთიდან გააძევეს (1815).



კარნალიტი. კრისტალის ფორმა.

მ. კარნაუხოვი.

კარნიზი. მანგლისის ტაძარი. XI ს. I მეოთხედი.



კარნაკის გეგმა: 1—სფინქსების ხეივანი. ძვ. წ. XII ს.; 2—დიდი ეზო ფარაონების სეთი II-ისა და რამსეს III-ის ტაძრებით; 3—ეიპოსტილური დარბაზი. ძვ. წ. XV — XIII სს.; 4 — ეზო; 5—ღმერთ ამონ-რას ტაძრის მთავარი ნაწილი (ძვ. წ. XVI — XII სს.) შუა სამეფო ხანის ტაძრის ნანგრევებითა და ფარაონ თუტმოს III-ის ტაძრით; 6 — ღმერთ ხონსუს ტაძარი; ძვ. წ. XII ს. რომაული ციფრებით აღნიშნულია პილონები.

ნ. კარნო.



კარნოს ციკლი. ნახ. 1. კარნოს ციკლი p—V (წნევა-მოცულობა) დიაგრამაზე. ეს ციკლი შემდეგ ნაირად ხორციელდება: T_1 ტემპერატურის მუშა სხეული (მაგ., ცილინდრის დგუშის ქვეშ მოთავსებული აირი) მუდმივი T_1 ტემპერატურის მქონე გამხურებელს ეხება და იზოთერმულად იღებს მისგან δQ_1 სითბოს რაოდენობას (ამის გამო ორთქლი ფართოვდება და ასრულებს მუშაობას). ეს პროცესი გამოისახება იზოთერმის AB მონაკვეთით. შემდეგ მუშა სხეული ფართოვდება ადიაბატურად (BC ადიაბატას გასწვრივ) და ცივდება T_2 ტემპერატურამდე. ამ ტემპერატურაზე მუშა სხეული იზოთერმულად იკუმშება (CD მონაკვეთი) და δQ_2 სითბოს რაოდენობას გადასცემს T_2 ტემპერატურის მქონე მაცივარს. კარნოს ციკლი მთავრდება ადიაბატური პროცესით (DA), რაც მუშა სხეულს საწყის თერმოდინამიკურ მდგომარეობაში აბრუნებს. გამხურებელსა და მაცივარს შორის ტემპერატურათა მუდმივი (T_1—T_2) სხვაობისას მუშა სხეული ერთი კარნოს ციკლის დროს ასრულებს მუშაობას: $\delta A = \delta_1 Q_1 -$

(გაგრძელება იხ. გვ. 413)

„კაროლინგური აღორძინება“. რაბანუს მავრუსი, რომელიც მიჰყავს ალკუინს, მაინცის არქიეპისკოპოსს უძღვნის თავის თხზულებას. „ფულდის კოდექსის“ მინიატურა. ავსტრიის ეროვნული ბიბლიოთეკა. ვენა.

კ-ს მათ. შრომები შეეხება ანალიზსა და გეომეტრიას. ნაშრომში „ფიქრები უსასრულოდ მცირეთა აღრიცხვის მეტაფიზიკის შესახებ“ (1797) შეეცადა დაესაბუთებინა ამ აღრიცხვის შედეგების სისწორე. მას ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები გამოყენებითი მექან. დარგში.

თხზ.: Размышления о метафизике исчисления бесконечно малых, 2 изд., М.—Л., 1936 (ბიბლიოგრ.). *გ. კიღურაძე.*

კარნო (Carnot) მარი ფრანსუა სადი (11. VIII. 1837, ლიმოჟი, — 24. VI. 1894, ლიონი), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე. ლ. *კარნოს* შვილიშვილი. 1878—87 ფრეისინეს მთავრობის წევრი იყო. 1887-იდან რესპ. პრეზიდენტი. ხელი შეუწყო საფრ.-რუს. კავშირის შეკვრას 1891 — 93. მოკლა ანარქისტმა ს. კაზერიომ.

კარნო (Carnot) ნიკოლა ლეონარ სადი (1. VI. 1796, პარიზი, — 24. VIII. 1832, იქვე), ფრანგი ფიზიკოსი, *თერმოდინამიკის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. ლ. *კარნოს* შვილი. პარიზის პოლიტექ. სკოლის დამთავრების შემდეგ (1814) გაამწესეს საინჟინრო ჯგარში. 1828 მიატოვა სამხ. სამსახური. თავის ერთადერთ გამოქვეყნებულ შრომაში „ფიქრები ცეცხლის მოძრავ ძალასა და მანქანებზე, რ-ებსაც უნარი აქვთ ეს ძალა გააღვივონ“ (1824) ზოგადად განიხილა „სითბოსგან მოძრაობის მიღების“ საკითხი. გააანალიზა იდეალური წრიული პროცესი (*კარნოს ციკლი*) და პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასარგებლო მუშაობა სრულდება მხოლოდ გახურებული სხეულიდან ცივ სხეულზე სითბოს გადასვლისას. კ-მ მიახლოებით განსაზღვრა სითბოს მექან. ეკვივალენტი და ზოგადად გამოთქვა ენერგიის მუდმივობის კანონი.

კარნოზინი (<ლათ. carnosus — ხორცისა, caro — ხორცი), $C_9H_{14}O_3N_4$, დიპეპტიდი (β-ალანილჰისტიდინი); შედგება ამინომჟავა β-ალანინისა და *L*-ჰისტიდინისაგან. აღმოაჩინა 1900 ვ. გულევიჩმა ხორცის ექსტრაქტში. კ-ის მოლ. მ. 226; კრისტალდება უფერო ნემსების სახით, კარგად იხსნება წყალში, არ იხსნება სპირტში. შედის ხერხემლიანების ჩონჩხის კუნთების შედგენილობაში, თევზების ზოგი სახეობის გარდა. უხერხემლოთა კუნთები კ-ს არ შეიცავს. მისი რაოდენობა ხერხემლიანების კუნთებში ნედლი წონის 200—400 *მგ*%-მდეა, ადამიანში — 100—150 *მგ*%-მდე. კ-ის ბიოლ. მნიშვნელობა საბოლოოდ დადგენილი არაა.

კარნოს ციკლი, შექცევადი წრიული პროცესი, რ-შიც სრულდება სითბოს გარდაქმნა მუშაობად (ან მუშაობისა სითბოდ). კ. ს. შედგება თანამიმდევრობით მონაცვლებული ორი იზოთერმული და ორი ადიაბატური პროცესისგან (იხ. ნახ.). პირველად განიხილა ფრანგმა მეცნიერმა ნ. ლ. ს. *კარნომ* (1824), როგორც სითბური ძრავას იდეალური მუშა ციკლი.

ისტორიულად კ. ს-მა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თერმოდინ. და თბოტექ. განვითარებაში.

ლიტ. იხ. სტ-თან თერმოდინამიკა.



კარნოტიტი [სახელი ეწოდა ფრანგი ქიმიკოსის ა. კარნოს (A. Carnot) პატივსაცემად], ვანადატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $K_2(UO_2)_2[V_2O_8] \cdot 3H_2O$. ზოგჯერ შეიცავს Ca, Cu, Pb და სხვ. კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. კრისტალები იშვიათია. აგრეგატები მიწისებრი და წანაცხის სახისაა. აქვს კაშკაშა ყვითელი ან მომწვანო ყვითელი ფერი, ტკიჩადობა სრული. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 2—3; სიმკვრივე 4460 *კგ/მ*³. ძლიერ რადიოაქტიურია. წარმოიქმნება ურანის პირველადი მინერალების ხარჯზე. კ. ურანისა და ვანადიუმის მნიშვნელოვანი ბადანია. კ-ის საბადოები არის აშშ-ში, აფრიკაში, ავსტრალიასა და სხვ.

კარნუ-ჯალაქი, *ქ. ერზურუმის* (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება.

კარო (Caro) ანიბალე (19. VI. 1507, ჩივიტანოვა, — 21. XI. 1566, რომი), იტალიელი მწერალი. „ახალი პოეზიის“ წრის წევრი რომში; 1542—63 ჰერცოგ ფარნეზეს კარის პოეტი. კ-ს „აპოლოგია“ (1558) მიჩნეულია XVI ს. პეტრარკიზმის საუკეთესო ნიმუშად. საკარო თეატრისათვის კ-მ დაწერა აგრეთვე კომედია „კონკია-ჟღარუნა“ (1544). შესანიშნავად თარგმნა „ენეიდა“ და ანტ. ლიტ-რის სხვა ძეგლები.

კაროზერსი (Carothers) უოლის ჰიუმ (27. IV. 1896, ბერლინგტონი, — 29. IV. 1937, უილმინგტონი), ამერიკელი ქიმიკოსი. აშშ-ის ეროვნული მეცნ. აკად. წევრი (1936). დაამთავრა ილინოისის შტ. უნ-ტი (1921). ორგ. ქიმიას ასწავლიდა აშშ-ის უნ-ტებში (1921—28). 1928-იდან დიუპონის კომპანიის კვლევითი ლაბორ. მთავარი ქიმიკოსი. 1931 კ-მა ჯ. ნიულენდთან ერთად დაასინთეზა ქლოროპრენული კაუჩუკი — ნეოპრენი. 1937 სინთეზური ბოჭკოს — ნაილონის — წარმოებისათვის შეიმუშავა პოლიამიდის მიღების მეთოდი. კ-მა შეუწყო ხელი პოლიმერების ქიმიის ჩამოყალიბებას ორგ. ქიმიის დამოუკიდებელ დარგად.

კაროი (Karolyi) ამი (დ. 1909, ბუდაპეშტი), უნგრელი პოეტი ქალი. პირველი ლექსები დაბეჭდა ჟურნალებში „ნიუგატი“ („Nyugat“) და „ჩილაგი“ („Csillag“). ლექსთა პირველი კრებ. „ვარსკვლავთცვენა“ 1947 გამოსცა. უნგრ. მკითხველთა შორის პოპულარულია მისი საბავშვო ლექსები და ზღაპრები. კ-მ მეუღლესთან პოეტ შანდორ ვეერეშთან ერთად თარგმნა ქართ. პოეზიის მრავალი ნიმუში (ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, კ. ლეონიძის, ა. კალანდაძისა და სხვ. ლექსები). *ჯ. გაგნიძე.*

„კაროლინა“ (Die Peinliche Gerichtsordnung Kaiser Karls V), გერმანიის იმპერატორ კარლ V-ის სისხლის სასამართლო სჯულდება, შედგენილი 1532. „კ-ის“ ძირითადი წყაროა ბამბერგისა (1507) და ბრანდენბურგის (1516) სჯულდებები, აგრეთვე გერმ. ჩვეულებითი სამართალი და სასამართლო პრაქტიკა. „კ.“ გერმ. პირველი და ერთადერთი საიმპერიო სჯულდებაა. იგი სისხლის სამართლისა და სამართალწარმოების ძეგლია. „კ.“ იცნობს სისხლის სამართ. ზოგად ცნებებს, როგორიცაა ბრალი, განზრახვა, გაუფრთხილებლობა, მცდელობა, თანამონაწილეობა და სხვ.; ძირითადად გათვალისწინებულია სახელმწ., პიროვნების საწინააღმდეგო და ქონებრივი დანაშაული. განსაკუთრებული სისასტიკით ხასიათდება სასჯელთა სისტემა (ბორბალზე დაკვრა, დაწვა, გახურებული მარწუხებით დამანთვა, ოთხად განკვეთა და სხვ.). მასში ჩამოყალიბებულია *ინკვიზიციური პროცესი*. 1543 „კ.“ ითარგმნა ლათ. ენაზე (Constitutio Criminalis Carolina). „კ.“ 1870-მდე მოქმედებდა.

გამოც.: Каролина, пер. со средневерхнегерм., предисл. и прим. С. Я. Булатова, А.-А., 1967. *ი. დოლიძე.*

კაროლინგები (გვიანდ. ლათ. Carolingi, ფრანგ. Carolingiens, გერმ. Karolinger), სამეფო და იმპერატორთა დინასტია ფრანკთა სახელმწიფოში (751 — X ს.). კ-ის (პიპინიდების) აღზევება იწყება VII ს-იდან, როცა პიპინ ლანდენელი ავსტრაზიის მაიორდომი გახდა. *კარლოს მარტელმა* კიდევ უფრო გააძლიერა ფრანკთა სახელმწიფო და ნიადაგი მოუმზადა *პიპინ მოკლის* მიერ 751 მოწყობილ სახელმწ. გადატრიალებას. თავისი ძლიერების მწვერვალს კ-მა მიაღწიეს *კარლოს დიდის* დროს, რ-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა *ლუი ღვთისმოსავი. ვერდენის ხელშეკრულებით* (843) ფრანკთა იმპერია გაიყო ლუი ღვთისმოსავის 3 შვილს—ლოთარს, *ლუდვიგ გერმანელსა* და შარლ მელოტს —შორის. კარლ III მსუჭანმა შეძლო (იმპ. 881—887) ცოტა ხნით კვლავ გაეერთიანებინა იმპერია. იმპერიის საბოლოოდ დაშლის შემდეგ კ. მართავდნენ იტალიას 905-მდე, აღმ. ფრანკთა საშეფოს (გერმანია) 911-მდე და დას. ფრანკთა სახელმწიფოს (საფრანგეთი) 987-მდე.

„კაროლინგური აღორძინება“, კულტურული აღმავლობა კარლოს დიდის იმპერიასა და კაროლინგების დინასტიის სხვა სამეფოებში VIII—IX სს-ში (ძირითადად გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე). ამ დროს დაარსდა ახ. სკოლები (ტურში, რეიმსში, კორბში და სხვ.), სამეფო კარზე მოიწვიეს განათლებული მოღვაწეები, გაცხოველდა ინტერესი ანტ. ლიტ-რისადმი, განვითარდა სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა. „კ. ა.“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაროლინგების სამხ.-პოლიტ. და ადმ. ამოცანებთან. „კ. ა-ის“ ცენტრი იყო *კარლოს დიდის* კარზე არსებული წრე, ე. წ. „აკადემია“, რ-საც ალკუინი ხელმძღვანელობდა. წრეში შედიო — და კარლოს დიდიც. „კ. ა-ის“ პერიოდის მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ირლანდიელ სედული სკოტს, ბერძნ. ენის მცოდნეს, პოეტსა და მეცნიერს; იოანე სკოტუს ერიუგენას — შუა საუკ. პირველ ორიგინ. ფილოსოფოსს, პანთეისტური სისტემის შემქმნელს. „კ. ა-ის“ ეპოქის შესანიშნავი ნაწარმოებებია პაულუს დიაკონუსის „ლანგობარდების ისტორია“. ამ დროს შეიქმნა პოლიტ. ტრაქტატები, ბიოგრაფიები, განვითარდა ლიტ-რა, შემოიღეს ადვილად წასაკითხი დამწერლობა, ე. წ. კაროლინგური მინუსკული. სკრიპტორიუმებში ხდებოდა წიგნების გადაწერა. შეიქმნა კაროლინგურ ხელნაწერთა უძვირფასესი ფონდი. კაროლინგური ხელოვნება ჩამოყალიბდა გვიანდ. ანტ. და ბიზანტ. ხელოვნების ადგილ. ბარბაროსულ ხელოვნებასთან შერწყმის საფუძველზე. იგი შემდგომში საფუძვლად დაედო ევრ. შუა საუკ. ხელოვნებას. „კ. ა-ის“ ეპოქის ინტენს. მშენებლობა, რ-იც ჩვენთვის ლიტ. წყაროებითაა ცნობილი (აგებდნენ მონასტრების, რეზიდენციების, სასახლეთა ფართო კომპლექსებს, ბაზილიკურ ეკლესიებს, კაპელებს), ხელოვნ. განვითარების დიდ საშუალებას იძლეოდა. შემორჩენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია იმპერატორის რეზიდენციის კაპელა აახენში (798 — 805), კაპელა-როტონდა სანქტ-მიხაელი ფულდაში (დაახლ. 820—822), სამნავიანი ეკლესია ვესტვერკით, ტრანსეპტითა და კოშკებით კორვეიში (822—885). ტაძრებსა და სასახლეებს რთავდნენ მოზაიკით (ჟერმინი-დე-პრეს ორატორია, 806 შემდეგ) და ფრესკებით (მიუნსტერის ეკლესიების მოხატულობის ფრაგმენტები, დაახლ. 800 და სხვ.). ადრინდ. ქრისტ. ტრადიციების გვერდით IX ს. მონუმ. ფერწერაში შეიმჩნევა ექსპრესიის ელემენტებიც. ეს მომენტი კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული წიგნის მინიატიურებში (მახარებელთა გამოსახულებები, ბიბლ. სცენები და სხვ.), ზოგ მინიატიურაში („გოდესკალკის სახარება“, დაახლ. 781—

783, პარიზის ეროვნ. ბ-კა; „ადას სახარება“ დაახლ. IX ს. დასაწყ. ქ. ტრირის ბ-კა) ანტ. სტილისტიკა ერწყმის შუა საუკ. სიმბოლიკას და ორნამენტულობას, ზოგჯერ („ებოს სახარება“, დაახლ. 816—835, ქ. ეპერნეს ბ-კა და სხვ.) გამოსახულებები გამოირჩევა უშუალობით, დინამ. კომპოზიციითა და თავისუფალი ნახატით. განირჩევა მინიატიურის რამდენიმე ადგილ. სკოლა (სასახლისა აახენში, რეიმსის, ტურის და სხვ.). ქანდაკება უმთავრესად წარმოდგენილია სპილოს ძვლის ნაკეთობებით (წიგნის ყდები, კარედები, სკივრები, სავარცხლები და სხვ.). განვითარებული იყო მხატვრული ჩამოსხმა, ჭედურობა, ლითონზე გრავირება, მინანქრითა და ძვირფასი ქვებით ნივთების მორთვა, ქვასა და ალებასტრზე კვეთა. რელიგ. სიუჟეტებზე ქმნიდნენ პრიმიტიულ ხის ქანდაკებებს (კონკის მონასტრის საუნჯე), რ-ებიც ოქროს ფირფიტებითა და ძვირფასი ქვების დიდი რაოდენობით არის მოჭედილი, რაც მიუთითებს ადგილობრივი ბარბაროსული ტრადიციების გაჯლეზაზე.

ლიტ.: Hubert I. J., Porcher J., Volbach W. F., Carolingian art, L., 1970.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 464—465.

კაროლინის კუნძულები (ინგლ. Caroline Islands, ესპ. Carolinas Islas; სალი ეწოდა ესპანეთის მეფის კარლოს II-ის პატივსაცემად), არქიპელაგი წყნარი ოკეანის დას. ნაწილში, *მიკრონეზიაში*. გაეროს სამეურვეო ტერიტორია (განაგებს აშშ). შედგება 936 კუნძ. კუნძულისა და ატოლისაგან, რ-ებიც ჩ. გ. 1—10° და ა. გ. 131—163° შორის მდებარეობს. ფართ. დაახლ. 1320 *კმ*². კუნძულთა დიდი ჯგუფებია: პალაუ, იაპი, სენიავინის, ტრუკი, კუსაიე და სხვ. ყველა დიდი კუნძული ვულკ. წარმოშობისაა და მარჯნის რიფებითაა შემოფარგლული. ჰავა ეკვატორული და სუბეკვატორულია. ნალექები 2250-იდან 3000—4500 *მმ*-მდე წელიწადში, მთაში — 6000 *მმ*-მდე. ჰ. ჰ. ტაიფუნების წარმოშობის არეა (წელიწადში საშ. 25 ტაიფუნი). ვულკ. კუნძულებზე მარადმწვანე ტროპ. ტყეა, მთის კალთებზე — მარადმწვანე ტყე ხისმაგვარი გვიმრებით. მშრალ კალთებზე სავანაა. მოსახლ. მისდევს მიწათმოქმედებას (ქოქოსის პალმა, შაქრის ლერწამი, ბატატი, ტარო), თევზჭერას, მეკაქონლეობას. ჰ. ჰ. აღმოაჩინა 1528 ესპ. ზღვაოსანმა სააავედრამ. ცალკეული კუნძულები აღმოაჩინა და გამოიკვლია თ. *ლიტკემ* 1828.

კაროლინის, მარშალის და მარიანას კუნძულები, გაეროს სამეურვეო ტერიტორია წყნარი ოკეანის დას. ნაწილში (განაგებს აშშ). შედგება კუნძულთა ჯგუფებისაგან (2000-ზე მეტი კუნძული). ფართ. 1,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 130 ათ. კაცი (1977). ადმ. ც. — პონაპე (კ. პონაპე, კაროლინის კ-ები).

აღმოაჩინეს ევროპელებმა XVI ს-ში. კ-ების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რუსმა ზღვაოსნებმა. XIX ს. დასასრ.— XX ს. დასაწყისში იყო გერმანიის სამფლობელო. 1914 დაიპყრო იაპონიამ, რ-მაც 1920 ერთა ლიგისაგან მიიღო კ-ების მართვის მანდატი. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ 1944 ამერ. შეიარაღებული ძალები დაეუფლნენ მარშალის (თებ.), მარიანას (ივნ.-აგვ.) კ-ებსა და კაროლინის კ-ების დას. ნაწილს (სექტ.-ოქტ.). 1947-იდან ჰ., მ. და მ. ჰ-ს, როგორც გაეროს სამეურვეო ტერიტორიას, განაგებს აშშ. კ-ებზე განლაგებულია ამერ. სამხ. ბაზები. კ-ების აღმოჩენის, კვლევის, ბუნების, მოსახლ. და მეურნ. შესახებ იხ. *კაროლინის კუნძულები, მარშალის კუნძულები, მარიანას კუნძულები.*

კარონი (Caroni), მდინარე სამხრ. ამერიკაში, ვენესუელაში, მდ. ორინოკოს მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 892 *კმ*, აუზის ფართ. დაახლ. 85 ათ. *კმ*². სათავე აქვს და მიედინება გვიანის ზეგანზე. ჰ-ზე არის ჩანჩქერები და ჭორომები. წყალმოვარდნა იცის აპრილიდან ოქტ-მდე. წყლის საშ. წლ. ხარჯი დაახლ. 4600 *მ*³/*წმ*. სანაოსნოა შესართავიდან 100 *კმ*-ზე.

კაროლინი ს. (ნამდვ. სახელი და გვარი ნიკოლოზ ელპიდიფორის ძე პეტროპავლოვსკი) [5 (17). X. 1853, სოფ. ვოზნესენსკაია, ახლანდ. ორენბურგის ოლქი, — 12 (24). V. 1892, სარატოვი], რუსი მწერალი. 70-იან წლებში მონაწილეობდა ხალხოსნურ მოძრაობაში; გადაასახლეს ციმბირში. პირველი მოთხრ. „უტყვი“ გამოაქვეყნა 1879. ჰ-ის მოთხრობები და ნარკვევები უმთავრესად გლეხთა დუჭირ ცხოვრებას, ხალხოსანი ინტელიგენციის ბედს ეხება. თავის საუკეთესო მოთხრობაში „დაბლიდან მაღლა“ (1886) ჰ. ახასავს გმირის სოფლიდან ქალაქში გახიზვნისა და გაპროლეტარების პროცესს.

კაროსა (Carossa) ჰანს (15. XII. 1878, ტელეი, — 12. IX. 1956, რიტშტაიგი), გერმანელი მწერალი (გფრ). დარჩა ნაცისტურ გერმანიაში და გარკვეული ხარკი მიუზღო ნაცისტებს, თუმცა ბოლოს ე. წ. „შინაგან ემიგრანტად“ მოგვევლინა. მისი პროზა უმთავრესად ავტობიოგრ. ხასიათისაა („ბავშვობა“, 1922; „რუმინული დღიური“, 1924; „სიყრმის გარდასახვანი“ 1928; „ექიმი გიონი“, 1931). ჰ-ს ლირიკა გოეთეს ტრადიციების გაგრძელების ცდაა.

კაროტაჟი (ფრანგ. carottage < carotte—საბურღი *კერნი*), კერნის ამოუღებლად ჭაბურღილის გეოლოგიური ჭრილის შესწავლის გეოფიზიკური ნეთოდი, რ-იც ემყარება ქანების ფიზ. თვისებების კვლევას. ჰ. სარეწაო გეოფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ცნობილია ჰ-ის მრავალი სახეობა. ელექტრული და ელექტრომაგნიტური ჰ-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის მეშვეობით ჭაბურღილში იზომება ერთფენექტროდიანი დანადგარით შექმნილი დენის ძალა და ელექტროდის დამიწების წინაღობა, ქანებისა და ცალკეული შრეების მოჩვენებითი ხვედრითი ელექტროწინაღობა, ქანებში წარმოქმნილი ბუნებრივი ელექტრული ველის პოტენციალები, ხელოვნური ელექტრული დენით დაპოლარიზებულ ქანში გამოწვეული ველის პოტენციალი და ჭაბურღილში შექმნილი სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნ. ველების მახასიათებლები; რადიოაქტიური ჰ. ემყარება ჭაბურღილით გაკვეთილი ქანების რადიოაქტ. თვისებების განსაზღვრას. იყენებენ როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ რადიოაქტ მოვლენებს; თერმული ჰ-ის მეშვეობით იზომება ჭაბურღილით გაკვეთილი ქანების თბოგამტარობისა და ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტები, შეისწავლება გეოთერმული ველისა და ტემპ-რის ცვლილება სიღრმის მიხედვით; მაგნიტური ჰ-ის მეშვეობით იზომება ქანების მაგნ. პარამეტრები (მაგნ. შეღწევადობა და ამთვისებლობა); სეისმური ჰ-ის მეშვეობით განისაზღვრება ქანების დრეკადი თვისებები და ცალკეულ შრეში სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეები; მექანიკური ჰ. ემყარება ჭაბურღილით გაკვეთილი ქანების სიმაგრის განსაზღვრას; აირული და ლუმინესცენციური ჰ-ით, განისაზღვრება ქანებსა და გრუნტის წყლებში აირების შედგენილობა და შეისწავლება ჭაბურღილის ხსნარში წიაღისეულის მინარევით გამოწვეული ლუმინესცენციური მოვლენები; გრავიმეტრიული ჰ-ით განისაზღვრება ჭაბურღილის მიერ გაკვეთილი ქანების სიმკვრივე.

ჰ-ის ყოველ სახეობას აქვს გარკვეული ფიზ. ველის წარმომქმნელი, გადამცემი, მიმღები და გამზომი საშუალებები, რ-ებიც დამონტაჟებულია სპეციმანქანებზე და სერიულად მზადდება სხვადასხვა მარკის კაროტაჟული სადგურების სახით. ფიზ. ველების წარმომქმნელ და მიმღებ აპარატურას, უმეტეს შემთხვევაში, ჰ-ის კაბელებისა და ჯალამბრების საშუალებით უშვებენ ჭაბურღილში.

ელექტრულ, თერმულ, რადიოაქტ. და სეისმურ ჰ-ს იყენებენ ნავთობის, აირის, ქვანახშირისა და ლითონთა საბადოების ძებნა-ძიებისას და ჰიდროგეოლ. და საინჟინრო-გეოლ. გამოკვლევათა ჩატარების დროს.

ვ. ქებულაძე.

კაროტიდული რეფლექსები, *კაროტიდულ სინუსში* რეცეპტორების გაღიზიანების საპასუხო რეფლექსური რეაქციები, რ-ებიც იწვევენ არტერიული წნევის, გულის მუშაობისა და სუნთქვის ცვლილებებს. ჰ. რ. არტერიული წნევის მუდმივობისა და აირთა ცვლის აუცილებელი დონის რეფლექსური რეგულაციის ერთ-ერთი მექანიზმია. მაგ., სისხლის წნევის მომატება აღაგზნებს *ბარორეცეპტორებს* და რეფლექსურად იწვევს სისხლძარღვთა გაფართოებას და გულის შეკუმშვათა შენელებას. სისხლში აირების შედგენილობის ან მისი pH-ის ცვლილება განაპირობებს კაროტიდული სინუსის *ქემორეცეპტორების* აგზნებას და, შესაბამისად, არტერიული წნევისა და აირთა ცვლის დონის შეცვლას. ჰ. რ-ს შეგუებითი ხასიათი აქვთ და ორგანიზმის შინაგანი გარემოს მუდმივობას განაპირობებენ (იხ. *ჰომეოსტაზი*).

კაროტიდული სინუსი (bulbus ან sinus caroticus) (ბერძნ. karoō — ვაძინებ და ლათ. sinus—უბე, ყურე), საერთო საძილე არტერიის გაფართოება შიგნითა და გარეთა საძილე არტერიებად განტოტვის ადგილზე. შეიცავს *ბარორეცეპტორებსა* და *ქემორეცეპტორებს;* ინერვირდება ენა-ხახის ნერვის ტოტით. ჰ. ს-ის რეცეპტორები შეადგენენ *კაროტიდული რეფლექსების* საწყის რგოლს.

კარტინი (<ლათ. carota—სტაფილო), $C_{40}OH_{56}$, ნარინჯისფერ-მოყვითალო პიგმენტი *კაროტინოიდების* ჯგუფისა; მისი სინთეზი ხდება მცენარეებში; განსაკუთრებით ბევრია ფოთლებში მცენარის ყვავილობის დაწყებისას. ჰ. დიდი რაოდენობით შედის სტაფილოს ფესვში, ასკილის, მოცხარის, ცირცელის, ქაცვის და სხვ. ნაყოფებში. ჰ. ვიტამინის წინამორბედია, რ-ის ბიოსინთეზი მხოლოდ ცხოველებში ხდება. ჰ. A აუმჯობესებს ცხოველთა ნაყოფიერებას, ზრდასა და განვითარებას, იცავს მათ ქსეროფტალმიისაგან; მონაწილეობს მცენარის ფოტოსინთეზის, სუნთქვისა და ზრდის პროცესებში.

კაროტაჟი. ჭაბურღილის ელექტრული გამოკვლევის სქემა წარმოსახვითი ხვედრითი ელექტროწინაღობისა და თავისთავადი პოლარიზაციის მეთოდებით (ვ. დახნოვის მიხედვით): ა—ჭაბურღილის ჭრილი (ეს — კაროტაჟული სადგური *კ* — კაბელი; A, M, N, B — ელექტროდები; 1 — თიხა; 2—ფორიანი წყალშემცველი ქვიშები და ქვიშაქვები; 3—ფორიანი ნავთობშემცველი ქვიშები და ქვიშაქვები; 4 — მკვრივი ქვიშები; 5—თაბაშირი); ბ—წარმოსახვითი წინაღობისა (*ρწ*) და თავისთავადი პოლარიზაციის ($U_{თ.}$) დიაგრამები.

(გაგრძელება)

$$-\delta Q_2 = \frac{T_1 - T_2}{T_1}\,\delta Q_1.$$ ეს მუშაობა რიცხობრივად უდრის კარნოს ციკლით წარმოქმნილი იზოთერმებისა და ადიაბატების მონაკვეთებით შემოსაზღვრულ ABCD ფართობს.

კარნოს ციკლი შექცევადია და მისი განხორციელება შეიძლება შებრუნებული თანამიმდევრობითაც (ADCBA მიმართულებით), ამ დროს δQ_2 სითბოს რაოდენობა აერთმევა მაცივარს და დახარჯულ (სითბოდ გარდაქმნილ) δA მუშაობასთან ერთად გადაეცემა გამხურებელს. სითბურური ძრავა ამ რეჟიმით მუშაობს როგორც იდეალური მაცივარი მანქანა.

ერთსა და იმავე (T_1—T_2) ტემპერატურულ ინტერვალებში განხორციელებულ ყველა შესაძლო ციკლს შორის კარნოს ციკლს უდიდესი მქკ აქვს $\eta = \delta A/\delta Q_1 = (T_1 - T_2)/T_1$. ამ აზრით კარნოს ციკლის მქკ-ის სხვა მუშა ციკლების ეფექტურობის ზომად იყენებენ.



ნახ. 2. კარნოს ციკლით მომუშავე იდეალური სითბური მანქანის მუშაობის სქემა: 1. გამხურებლიდან (გ) შემოდის δQ_1 სითბოს რაოდენობა, აირი დგუშის ქვეშ იზოთერმულად ფართოვდება (AB წირის გასწვრივ, ნახ. 1). 2. აირი იზოლირებულია გამხურებლისა და მაცივრისაგან და ადიაბატურად ფართოვდება (BC წირის გასწვრივ). 3. აირი იზოთერმულად როცა ($T=T_2$) იკუმშება (CD წირის გასწვრივ) და მაცივარს (მ) გადასცემს δQ_2 სითბოს რაოდენობას. 4. აირი იზოლირებულია და ადიაბატურად იკუმშება (DA წირის გასწვრივ).

ი. კარპენკო-კარი.

ა. კარპინსკი.

კაროტინოიდები. ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელი პიგმენტები, რ-თა სინთეზი ხდება ბაქტერიებში, სოკოებში და უმაღლეს მცენარეებში. ცხოველები კ-ს იყენებენ A და K ვიტამინების სინთეზისათვის. კ-ს ეკუთვნის *კაროტინები* და *ქსანტოფილები*; პამიდვრის, ასკილისა და ძაღლყურძენას ნაყოფში შედის ლიკოპინი, სიმინდის თესლში — ზეაქსანტინი, ნესვის ხის ნაყოფში — კრიპტოქსანტინი, მურა წყალმცენარეებში — ფუკოქსანტინი და ა. შ. კ-ის რაოდენობა იცვლება მცენარის განვითარების პროცესში და გარემო პირობების გავლენით; უჯრედში კ. ყველაზე მეტია პლასტიდებში. კ. ხელს უწყობენ მცენარეთა განვითარებას, მონაწილეობენ მცენარის მიერ სინათლის შთანთქმაში და ცხოველის მიერ სინათლის აღქმაში, ფოტოსინთეზში. აგრეთვე მცენარეებში ჟანგბადის გადატანაში. მოლეკულაში კ-ის ორმაგი კავშირების რაოდენობა და მდებარეობა განაპირობებს მის შეფერილობას. ცნობილია 150-ზე მეტი კაროტინოიდული პიგმენტი.

კარპაკი, II—III სს. ქართლის მაღალ მოხელე-დიდებულთა წრის წარმომადგენელი ქალი. იხსენიება არმაზისხევის პიტიახშთა (ერისთავთა) სამაროვანში აღმოჩენილ ოქროს ბალთის თვალზე ქალ-ვაჟის გამოსახულების გარშემო გაკეთებულ წარწერაში, რ-იც იკითხება ასე: „ჯავახი სიცოცხლეა ჩემი — კარპაკი“.

კარპატები, მთის სისტემა შუა ევროპის აღმ. ნაწილში, უნგრ., ჩეხოსლ., პოლ., სსრკ და რუმინ. ტერიტორიებზე. გადაჭიმულია 1500 *კმ*-ზე. სიგანე ჩრდ.-დას-ით დაახლ. 250 *კმ*, ცენტრალურ, ყველაზე შევიწროებულ ნაწილში — დაახლ. 120 *კმ*, სამხრ.-აღმ-ით — 430 *კმ*-მდე.

რ ე ლ ი ე ფ ი. კ. კულისისებრ განლაგებული, გასწვრივი და განივი ბეობებით დანაწევრებული მთის მასივებისა და ქედების რთული სისტემაა. მთათა რკალი 3 ნაწილად იყოფა: *დასავლეთი კარპატები, აღმოსავლეთი კარპატები* და *სამხრეთი კარპატები*. კ-ში შედის აგრეთვე დას. რუმინეთის მთები და ტრანსილვანიის ვრცელი პლატო. კ-ის უმაღლესი მწვერვალია გერლახოვსკი-შტიტი (2655 *მ*). კ-ის რკალის გარე კიდის გასწვრივ ვრცელდება მთისწინეთის ზოლი (სიგანე 40—60 *კმ*). მდ. მორავიდან მდ. დიმბოვიცამდე კ. უმთავრესად ფლიშითაა აგებული. მთების ცენტრ. ზონა, ლოდა მასივების ჯგუფი, კრისტ. ქანებისა და კირქვებისაგან შედგება. მაღალი მასივებია: ტატრები, ფეგერაში, როდნა და სხვ. ქედების თხემები პლეისტოცენური გამყინვარების ნიშნებს ატარებს. ალპ. რელიეფი მკაფიოდ არის გამოხატული ტატრებისა და ფეგერაშის მასივებზე. კ-თვის დამახასიათებელია აგრეთვე კარსტული რელიეფი. კ-ის რკალის შიგა მხარეზე ვულკ. მასივების ზოლი ვრცელდება. კლდოვანი რელიეფი და კარსტი დამახასიათებელია დას. რუმინ. მთებისთვისაც.

გ ე ო ლ ო გ ი უ რ ი ა გ ებ უ ლ ებ ა დ ა ს ა ს ა რ გ ებ ლ ო წ ი ა ღ ი ს ე უ ლ ი. კ. ალპ. გეოსინკლინური ნაოჭა სარტყლის ნაწილს წარმოადგენს. კ. უმთავრესად აგებულია ცარცული და პალეოგენური ფლიშური ქანებით, რ-თა დაწყვეტილი ნაოჭები გადაყირავებულია კარპატებისწინა კიდური როფისაკენ. დანაოჭების ძირითადი ფაზებია ნეოგენისწინა და პლიოცენური. ტატრების დამახასიათებელი რთული შარიაჟული სტრუქტურების ჩამოყალიბება დამთავრდა ცარცულ პერიოდში; შემდგომი დანაოჭება ძალზე სუსტი იყო.

წიაღისეულიდან აღსანიშნაკია ნავთობი და აირი, ოზოკერიტის, სუფრისა და კალიუმის მარილის ბუდობები, ქვანახშირისა და მურა ნახშირის, რკინისა და მანგანუმის მადნები, აგრეთვე ფერადი და იშვიათი ლითონები.

ჰ ა ვ ა ზომიერი, ზღვიურიდან კონტინენტურისკენ გარდამავალი. იანვ. საშ. ტემპ-რა —2, —5°C, მაღალ მწვერვალებზე —9, —10°C და უფრო დაბალიც; ივლ. საშ. ტემპ-რა მთისწინეთში 17—20°C, მთის ზედა სარტყელში 5—4°C-მდე. ნალექები 600 — 800-იდან 900 — 1000 *მმ*-მდე წელიწადში, ხოლო მაღალმთიან სარტყელში 2000 *მმ*-მდეც აღწევს. ნალექების მაქსიმუმი ზაფხულში მოდის. კ-ზე არ არის მყინვარები და მუდმივი თოვლი.

მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ი დ ა ტ ბ ე ბ ი. კ. ევროპის ერთ-ერთი მთავარი წყალგამყოფია. მდ-ები ვისლა და ოდრა განეკუთვნება ბალტიის ზღვის აუზს, სხვა მდინარეთა უმეტესობა — მდ. დუნაის აუზს, ხოლო ჩრდ.-აღმ. კალთების მდ-ები — დნესტრის აუზს. მდ-ები საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. ტბები ცოტაა, უმთავრესად მაღალმთიანეთშია და კარული ქვაბულები უკავია.

ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ი ს ტ ი პ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა კ-ში ექვემდებარება სიმაღლებრივ სარტყლურობას. წარსულში მთისწინეთში გავრცელებული ტყესტეპი, მუხის და წიფლის ტყეები ახლა თითქმის



1. ბულგარეთი

კარპატები, ორეოგრაფიული სქემა

მთლიანად გაჩეხილია და მათ ადგილზე ბალ-ვენახები და სახნავი მიწებია. მთათა ბუნებრივი ლანდშაფტები უკეთაა შემონახული. მთის დაბალ სარტყელში, 550-იდან 800 *მ* სიმაღლემდე, მუხნარია, მას ცვლის წიფლნარი, რ-იც 1100—1350 *მ*-მდე ვრცელდება, უფრო ზემოთ, 1200—1500 *მ*-მდე, შერეული ტყის ლანდშაფტია (წიფელი, ნაძვი, სოჭი). ტყის ზედა საზღვარზე (1500—1800 *მ*) წიწვოვანი ტყეა (უმთავრესად ნაძვი, იშვიათად ლარიქსი და ფიჭვი), 2200 *მ*-მდე მას სუბალპ. მდელოები, ბუჩქნარი და ტანბრეცილი ტყე ენაცვლება. უფრო მაღლა, 2300-2400 *მ*-მდე, ალპ. მდელოებისა და ბუჩქნარის სარტყელია.

კ. მდიდარია ტყის ფაუნით. ბინადრობს მურა დათვი, ფოცხვერი, ევრ. შველი, გარეული ღორი, თრითინა, მელა, გარეული კატა, თეთრყელა კვერნა, ჩრდ. დედოფალა, ყარყუმი. არის ნაკრძალები და პარკები.

მოსახლ. თავმოყრილია მთისწინეთსა და მთათაშორის ქვაბულებში, მთაში მოსახლ. შედარებით მცირეა. არის ბევრი კურორტი, განვითარებულია ტურიზმი, ალპინიზმი, სპორტის ზამთრის სახეობები.

კარპატების ოპერაცია 1915, I მსოფლიო ომში (1914—18) სამხრ.-დას. ფრონტის რუსეთის არმიის შეტევა (იანვ.-აპრ.) უნგრეთის დაბლობზე გასასვლელად და ავსტრია-უნგრეთის ომიდან გამოსაყვანად. გერმ. სარდლობამ ავსტრია-უნგრ. დასახმარებლად კარპატებში 6 დივიზია (შეადგინეს ე. წ. სამხრეთის არმია) გადაისროლა და 10 იანვ. სამხრეთის (გერმ.), ავსტრია-უნგრ. მე-3 და მე-5 არმიების ძალებით გადავიდა შეტევაზე. თითქმის ერთდროულად დაიწყო შეტევა რუს. მე-8 არმიამ, გენ. ა. ბრუსილოვის სარდლობით, რ-ის შემადგენლობაში მოქმედებდა მე-10 არმიის 22-ე კორპუსი. მოწინააღმდეგე ცდილობდა მე-8 არმიის ფლანგიდან შემოვლით გაჭრილიყო რუს. არმიის ზურგში, ავსტრია-უნგრ. ციხესიმაგრე პერემიშლისაკენ. მე-8 არმიის მარცხ. ფლანგმა დნესტრისკენ დაიხია. მტრის შემდგომი წინსვლა მე-8 არმიის მარჯვ. ფრთიდან გადასროლილმა ჯარებმა შეაჩერეს. 9(22) მარტს ავსტრია-უნგრ. 120-ათ-იანი გარნიზონი, რ-იც პერემიშლს იცავდა, ტყვედ დანებდა. მარტში რუს. ჯარებმა სამხრეთის (გერმ.) და ავსტრია-უნგრ. მე-3 არმიის წინააღმდეგ ახ. შეტევა წამოიწყეს. სისხლისმღვრელი ბრძოლები კარპატებში აპრილამდე გრძელდებოდა.

კ. ო-მ დასახული მიზანი ვერ შეასრულა. ვინაიდან რუს. ჯარები ვერ უზრუნველყვეს აუცილებელი რეზერვებით, არტილერიითა და საბრძოლო მასალით. მოწინააღმდეგემ დაკარგა 800 ათ. კაცი, რუს. ჯარებმა — დაახლ. 1 მლნ.

კარპაჩო (Carpaccio) ვიტორე (დაახლ. 1455 ან 1465, ვენეცია, — დაახლ. 1526 კაპოდისტრია, ახლანდ. კოპერი, სლოვენია), იტალიელი ფერმწერი, ვენეციური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. სწავლობდა ჯენტილე ბელინის ხელმძღვანელობით. განიცადა ანტონელო და მესინას და ჯოვანი ბელინის გავლენა. წმ. ურსულას (1490—95, აკად. გალერეა, ვენეცია), წმ. გიორგისა და წმ. იერონიმეს (1502—07, სკუოლა დი სან-ჯორჯო დელი სკიავონი, ვენეცია) ცხოვრების თემებზე შექმნილ სურათებში ლეგენდარული სიუჟეტები გადაწყვეტილია როგორც მხატვრის თანამედროვე ცხოვრების რეალური სცენები. მხატვარი ოსტატურად ასახავდა სივრცეს, ჰაეროვან და შუქ-ჰაეროვან გარემოს, რაც არბილებს ლოკალური ფერის ლაქების ჟღერადობას.

ლიტ.: L a u t s J., Carpaccio paintings and drawings, N. Y., 1962.

კარპენკო-კარი (ნამდვ. გვარი ტ ო ბ ი ლ ე ვ ი ჩ ი) ივანე კარპის ძე [17 (29). IX. 1845, სოფ. არსენიევკა, ახლანდ. კიროვოგრადის ოლქი, — 2 (15). IX. 1907, ბერლინი], უკრაინელი დრამატურგი, თეატრ.

მოღვაწე. ახ. რეალისტური სახ. თეატრის ფუძემდებელი უკრაინაში. მისი მსოფლმხედველობა ტ. შევჩენკოსა და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით ჩამოყალიბდა. 1883-იდან იყო მ. სტარიცკის, მ. კროპივნიცკის, მ. სადოვსკის და სხვ. თეატრ. დასების მსახიობი. მონაწილეობდა არალეგალურ პოლიტ. წრეებში. 1884—87 გადასახლებული იყო. 1890—97 პ. საქსაგანსკისთან ერთად სათავეში ედგა „რუს და უკრაინელ მსახიობთა ამხანაგობას". ლიტ.-კრიტ. მოღვაწეობა დაიწყო 70-იანი წლებიდან. პირველი მოთხრ. „წვეევამდელი" გამოსცა 1883. ავტორია დრამებისა „ბურლაკა" (1883, გამოქვეყნდა 1895), „მოჯამაგირე ქალი" (1885, გამოქვეყნდა 1887), „უიღბლო" (1886); ტრაგედიისა „სავა ჩალი" (1899); კომედიისა „მარტინ ბორულია" (1886, გამოქვეყნდა 1891) და სხვ. კ.-კ-მ ასახა ბატონყმური და რეფორმის შემდგომი პერიოდის უკრ. სოფლის სურათები, შექმნა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამხედრებული გმირების სახეები. მის პიესებს იცნობდა თბილისელი მაყურებელიც. ქართ. პრესაში გამოქვეყნებულია წერილები კ.-კ-ს დრამატურგიის შესახებ.

ლიტ.: ბაქანიძე ო., უკრაინული თეატრი თბილისში, თბ., 1967.

ო. ბაქანიძე.

კარპენტარია (Gulf of Carpentaria), ყურე არაფურის ზღვაში, ავსტრალიის ჩრდ. ნაპირთან, კეიპ-იორკისა და არნემლენდის ნ.-კ-ებს შორის. ხმელეთში შეჭრილია 600 *კმ*-ზე. სიღრმე 69 *მ*-მდე. წყლის საშ. თვიური ტემპ-რა ზედაპირზე ზამთარში 23—25°C, ზაფხულში 29°C, მარილიანობა 34,8‰. მოქცევა არასწორი ნახევარდღეღამურია, სიმაღლე 3,2 *მ*.

კარპენტიერი (Carpentier) ალეხო (დ. 26. XII. 1904, ჰავანა), კუბელი მწერალი. 1928—39 და 1945—59 ემიგრაციაში იყო. რევ. გამარჯვების შემდეგ აქტიურად ჩაება კუბის საზ. და კულტ. ცხოვრებაში. კ-ის პირველი რომანი „ეკუე იამბა-ო" (1933) ე. წ. აფროკუბიზმის ლიტ. მოძრაობასთანაა დაკავშირებული. შემდგომ რომანებში მწერალი ცდილობს სრულად ასახოს ეროვნ. თვითშეგნების პროცესი და ისტ. განვითარების სპეციფიკა. ამ მხრივ საგულისხმოა რომანი „დაკარგული კვალი" (1953), ისტ. რომანი „განათლების საუკუნე" (1962) და სხვ.

კარპინსკი ალექსანდრე პეტრეს ძე [26. XII. 1846 (7. I. 1847), სოფ. ტურინსკიერუდნიკი, ახლანდ. ქ. კრასნოტურინსკი, სვერდლოვსკის ოლქი, — 15. VII. 1936, მოსკოვი], რუსი საბჭ. გეოლოგი, საზოგადო მოღვაწე. 1866 დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი. 1877 — 96 იყო იმავე ინ-ტის პროფესორი. გეოლ. კომიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1882; 1885—1903 დირექტორი, 1903—29 საპატიო დირექტორი). 1886 აირჩიეს პეტერბ. მეცნ. აკად. ადიუნქტად, 1889 — ექსტრაორდინარულ, 1896 — ორდინარულ აკადემიკოსად. 1916-იდან ასრულებდა მეცნ. აკად. ვიცეპრეზიდენტის მოვალეობას, 1917-იდან სიკვდილამდე იყო მისი პირველი არჩევითი პრეზიდენტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კ-ს შრომები ტექტონიკის, პალეოგეოგრ. და პალეონტოლ. დარგში. კ-მ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა რუსეთში ქანების კვლევის მიკროსკოპული მეთოდი. კ-ს გეოლ. რუკები საფუძვლად დაედო სასარგებლო წიაღისეულის ძებნის საქმეს. გეოლ. შრომებისათვის კ-ს მიენიჭა რუს. გეოგრ. საზ-ბის კონსტანტინეს მედალი (1892), საფრ. მეცნ. აკად. კიუვიეს სახ. პრემია (1922). გეოლ. დარგში თვალსაჩინო შრომებისათვის სსრკ მეცნ. აკადემიამ 1946 დაარქვა კ-ს სახ. პრემია და ოქროს მედალი. 1899—1936 იყო მინერალოგიური საზ-ბის პრეზიდენტი. კ-ს სახელი ეწოდა ქალაქს სვერდლოვსკის ოლქში, ვულკანს კურილის კ-ებზე, მთას ჩრდ. ურალში, სსრკ მეცნ. აკად. გეოლ. მუზეუმს ლენინგრადში და სხვ. კ. დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

თხზ.: Собр. соч., т. 1—4, М.—Л., 1939—49.

კარპინსკი ვიაჩესლავ ალექსის ძე [16. I. 1880, პენზა, — 20. III, 1965, მოსკოვი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთში, პუბლიცისტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, სოციალ. შრომის გმირი (1962). კომპარტიის წევრი 1898-იდან. რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს ხარკოვის უნ-ტიდან. იყო ხარკოვის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" ერთ-ერთი ორგანიზატორი (1902). 1904 ემიგრაციაში იყო ჟენევაში, სადაც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მუშაობდა გაზ. „ვპერიოდსა" და „პროლეტარში", თანამშრომლობდა „პრავდაში". 1917 დაბრუნდა რუსეთში და მუშაობდა გაზ. „დერევენსკაია პრავდაში". იყო სრულიად რუს. ცაკის აგიტაცია-პროპაგანდის განყ-ბის გამგე. 1918—27 შედიოდა გაზ. „პრავდის" სარედაქციო კოლეგიაში. 1936—37 მუშაობდა საკ. კპ(ბ) ცკ-ის აპარატში. 1937-იდან სამეცნ. და ლიტ. პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა. იყო პარტიის VIII, XVI და XXII ყრილობების დელეგატი, მიმოწერა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, აქვს მოგონებები ლენინზე, ბროშურები და წიგნები კომპარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს ისტ. საკითხებზე. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით.

კარპინსკი (Karpinski) ფრანციშეკ (4. X. 1741, გოლოსკოვი, ახლანდ. ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, უკრ. სსრ, — 16. IX. 1825, ხოროშჩიზნა), პოლონელი პოეტი, დრამატურგი. პირველი ნაწარმოებები გამოაქვეყნა 80-იან წლებში. კ. სანტიმენტალიზმის ფუძემდებელია პოლ. ლიტ-რაში. მის კალამს ეკუთვნის კრებ. „თავშექცევა ლექსებითა და პროზით" (ტ. 1—7, 1780—87), „მოგონებები" (1844), ტრაგედია „ივდითი" (1790) და კომედია „ჩინში" (1789).

კარპინსკი, ქალაქი (1941-იდან) რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში, მდ. ტურიის (ობის აუზი) ნაპირზე. სარკინიგზო ტოტის ბოლო სადგური. მურა ნახშირის მოპოვება. სამთო მოწყობილობის წარმოება და რემონტი, ელექტრომანქანათმშ., ბამბასართავი ფ-კა; კვების მრეწველობა. მანქანათაშ. ტექნიკუმი. სახელი ეწოდა აკად. ა. კარპინსკის პატივსაცემად.

კარპო (Carpeaux) ჟან ბატისტ (11. V. 1827, ვალანსიენი, — 11. X. 1875, კურბევუა), ფრანგი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი. სწავლობდა ფ. რიუდის სახელოსნოში (1844-იდან) და ნატიფი ხელოვნ. სკოლაში, პარიზში (1848-იდან) ფ. დიურეს ხელმძღვანელობით. სახელი გაითქვა ტრაგიკული სულით გამსჭვალული სკულპტურული ჯგუფით — „უგოლინო და მისი შვილები" (ბრინჯაო, 1857—60, ლუვრი, პარიზი), დეკორ.-საზეიმო პორელიეფებით „ფლორას ტრიუმფი" (თაბაშირი, 1863—66, ფლორას პავილიონის ფასადი, ტიუილრის პარკი, პარიზი), აგრეთვე სკულპტურული ჯგუფით „ქვეყნის ოთხი მხარე" (ბრინჯაო, 1867—72, შადრევანი ობსერვატორიის მოედანზე, პარიზი), კ-ს ნამუშევრებს ახასიათებს ფორმების დინამიკურობა, ფიგურების გრაციულობა, რამდენადმე სალონური მანერულობა. კ. მრავალი პორტრეტული ბიუსტის ავტორია.

კარპოგონი (ბერძნ. karpos — ნაყოფი და gonos — თესლი), *ძოწეული წყალმცენარეების* მდედრობითი სასქესო ორგანო. კოლბისებრი ფორმა აქვს; შედგება ქვედა გაფართოებული (მუცლის) ნაწილისა და ზედა შევიწროებული — ე. წ. ტრიქოგინისაგან. კვერცხუჯრედის განაყოფიერების შემდეგ ტრიქოგინა კვდება, ხოლო მუცლის ნაწილში წარმოიქმნება კარპოსპორები, რ-ებიც ზოგჯერ უჯრედის ძაფების ბოლოებზე განლაგდებიან.

კარპოვი ალექსანდრე ტერენტის ძე [4 (17). X. 1917, სოფ. ფილენევო, ახლანდ. პერემიშლის რ-ნი, კალუგის ოლქი, — 29. X. 1944], საბჭ. კავშირის ორგზის გმირი (28. IX. 1943 და 22. VIII. 1944), მაიორი. სკკპ წევრი 1942-იდან. საბჭ. არმიაში იყო 1939-იდან. 1940 დაამთავრა კაჩინსკის მიასნიკოვის სახ. სამხ. საავიაციო სკოლა. 1941-დან მონაწილეობდა საჰაერო ბრძოლებში ლენინგრ. ფრონტზე. იყო პილოტი, რგოლის მეთაური, 27-ე გვარდიული გამანადგურებელი საავიაციო პოლკის ესკადრილიის უფროსის მოადგილე, შემდეგ უფროსი. მოახდინა 456 საბრძოლო გაფრენა, ჩაატარა 97 საჰაერო ბრძოლა. პირადად ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 28 თვითმფრინავი და 8 — ჯგუფურ ბრძოლაში. დაილუპა საბრძოლო დავალების შესრულებისას. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

კარპოვი ანატოლი ევგენის ძე (დ. 23. V. 1951, ზლატოუსტი), საბჭ. მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-12 ჩემპიონი, სსრკ-ისა და საერთაშ. დიდოსტატი (1970), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1974). 1978 დაამთავრა ლენინგრადის უნ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1967—79 მონაწილეობა მიიღო 29 ტურნირში და 24-ჯერ დაიკავა პირველი ადგილი. 1969 ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. პრეტენდენტთა მატჩებში მოუგო ლ. პოლუგაევსკის, ბ. სპასკის, ვ. კორჩნოის და ფიდემ 1975 იგი მსოფლიოს ჩემპიონად გამოაცხადა. 1978 მსოფლიო პირველობაზე მატჩი მოუგო ვ. კორჩნოის. 1973, 1974, 1975, 1976, 1977 და 1979 კ-ს საჭადრაკო „ოსკარი" მიენიჭა. თამაშობს პოზიციური სტილით, რაციონალურად. 1974-იდან საკავშ. ალკკ ცკ წევრი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: Избр. партии. 1969—1977, М., 1978; Девятая вертикаль, М., 1979.

ლიტ.: Ботвинник М. М., Три матча Анатолия Карпова, М., 1975.

თ. გიორგაძე.

კარპოვი ლევ იაკობის ძე [18 (30). IV. 1879, კიევი, — 6. I. 1921, მოსკოვი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთში, საბჭ. ქიმ. მრეწვ. ერთ-ერთი ორგანიზატორი. კომპარტიის წევრი 1897-იდან. 1910 დაამთავრა მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. 1898 მონაწილეობდა მოსკ. „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მუშაობაში. იყო „ჩრდილოეთის მუშათა კავშირის" ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1903 ხელმძღვანელობდა რსდმპ ცკ-ის აღმოსავლეთის ბიუროს (სამარაში), 1904 — სამხრეთის ბიუროს (კიევში). არაერთხელ იყო რეპრესირებული. 1911—15 სათავეში ედგა კანიფოლ-სკიპიდრის წარმოების ორგანიზაციას რუსეთში; პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქლოროფორმისა და თხევადი ქლორის სამამულო წარმოებას. 1915-იდან ბონდიუუსკის ქიმ. ქარხნის დირექტორი იყო. 1918 თებ-იდან — სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს (სმუს) ქიმ. მრეწვ. განყ-ბის გამგე და პრეზიდიუმის წევრი. 1918 კ-ის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა სმუს-ს ცენტრ. ქიმ. ლაბორატორია მოსკოვში (ახლანდ. ლ. კარპოვის სახ. ფიზიკა-ქიმ. ინ-ტი). დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

კარპოლოგია (ბერძნ. karpos — ნაყოფი და ...ლოგია), მცენარეთა მორფოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის ნაყოფისა და თესლის ფორმასა და აგებულებას, მორფოგენეზსა და ონტოგენეზს; ახდენს მათ კლასიფიკაციას. ნაყოფსაფრის კონსისტენციისა (მშრალი და სველი ნაყოფი) და ნაყოფში თესლის რაოდენობის (ერთ- და მრავალთესლიანი ნაყოფი) მიხედვით გერმ. მეცნიერმა ი. გერტნერმა დაამუშავა ნაყოფთა კლასიფიკაცია, რ-იც შემდეგ განავითარეს რუსმა მეცნიერებმა (ხ. გობი, ნ. კადენი და სხვ.). ეს კლასიფიკაცია ით-

ვ. კარპინსკი.

ფ. ბ. კარპო. „მებადური გოგონა". ტერაკოტა. 1871. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

ა. ტ. კარპოვი

ა. ე. კარპოვი.

თ. კ ა რ ს ა ვ ი ნ ა. ვ. სეროვის ნახატი. ფანქარი. 1909. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

კარსნისხევის არქეოლოგიური ძეგლები



ქალის ქანდაკება. ტყვია. II—III ს.



მამაკაცის თავი. პროფილი. ტერაკოტა. II—III სს.

ჰიდრავლიკური ხსნარით ნაგები საწნახელი. ყველა — მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა.

ვალისწინებს ზოგიერთ ეკოლოგიურად განპირობებულ ნიშან-თვისებას (მაგ., ნაყოფის გახსნის თავისებურება).

ᲙᲐᲠᲡᲐᲕᲘᲜᲐ თამარ პლატონის ასული [დ. 25. II (9. III). 1885, პეტერბურგი,— 2. VI. 1976], რუსი ბალეტის მსახიობი. 1902 დაამთავრა პეტერბ. თეატრ. სასწავლებელი (პ. გერდტის კლასი). 1902—18 ცეკვავდა მარიამის თეატრში (პეტროგრადი). Კ-მ ფოკინის დადგმებში შეასრულა მთავარი პარტიები: ფასკუნჯი და ბალერინა (სტრავინსკის „ფასკუნჯი" და „პეტრუშკა"), მადლენი (ჩერეპნინის „არმიდას პავილიონი") და სხვ., რომლებმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. 1909 — 29 „დიაგილევის რუსულ ბალეტთან" ერთად გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1918-იდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1930 ცეკვავდა დასში „ბალე რამბერი". 1930—55 იყო ლონდონში ცეკვის სამეფო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ავტორია წიგნებისა ქორეოგრაფიაზე.

ᲙᲐᲠᲡᲐᲜᲘ, სოფელი მცხეთის რ-ნში (მცხეთის საქალაქო საბჭო), თრიალეთის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 700 *მ*, მცხეთიდან 8 *კმ*. საშ. სკოლა მცხეთაში.

Კ. ადგილ. მნიშვნელობის დაბალი მთის კლიმ. კურორტია. იცის რბილი, თითქმის უთოვლო ზამთარი და ზომიერად მშრალი ზაფხული. ნალექები 600 *მმ* წელიწადში. სამედ. ჩვენება: ფილტვის ტუბერკულოზის აქტ. ფორმები. არის სანატორიუმის ტიპის ტუბსაავადმყოფო. სეზონი — მთელი წელი. 1904-იდან Კ-ში იყო თბილისის ფიზ. (შემდგომში გეოფიზ.) ობსერვატორიის მაგნიტური განყ-ბა, რ-იც 1935-იდან გადატანილ იქნა დუშეთში (იხ. *დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია*).

ᲙᲐᲠᲡᲐᲜᲘᲫᲔ ვლადიმერ დავითის ძე (23. V. 1910, სოფ. მათხოჯი, წულუკიძის რ-ნი, — 1968, იქვე), ქართველი საბჭ. დრამატურგი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1930-იდან. 1934 დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტი. ავტორია სცენარებისა მხატვრული ფილმებისათვის „ბედნიერი შეხვედრა" (1949), „ბაში-აჩუკი" (1957), „გლახის ნაამბობი" (1960); მულტფილმებისათვის „გაზაფხულის სტუმრები" (1949); „ნიკო და სიკო" (1961); სამეცნ.-დოკუმენტური ფილმებისათვის „აკაკი წერეთელი" (1940), „ნათელი მზის ქვეშ" (1940), „ფერეიდნელი ქართველები" (1944) და სხვ.

ᲙᲐᲠᲡᲜᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი თბილისი—მცხეთის გზატკეცილის მე-17 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას მცხეთის ერთ-ერთი უბნის, კარსნისხევის მიდამოებში. მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა 1925 (გ. ნიორაძე). 1975-იდან მიმდინარეობს სტაციონარული გათხრები (ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი). კარსნისხევი დასახლებული ყოფილა გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან. გამოვლენილია ამ ხანის სამარხები. კარსნისხევის მარჯვ. ნაპირას აღმოჩნდა ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს. კომპლ. ძეგლი: ხელოსანთა დასახლება, საწარმოო უბანი და სამაროვანი. ნამოსახლარზე გამოვლენილია 3 სამშენებლო ჰორიზონტი. ქვატეხილითა და ტალახით ნაგები გეგმით მოგრძო, ოთხკუთხა შენობები გადახურული ყოფილა ანტ. ხანის მცხეთური ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. თიხატკეპნილი იატაკის ცენტრ. ნაწილში ქვითა და თიხით ნაგები კერები იყო. დიდი რაოდენობითაა მოპოვებული, უმთავრესად, მოწითალოდ გამომწვარი, თხელკეციანი საოჯახო კერამ. ნაწარმი, ლითონისა და თიხის ქანდაკებანი. ნამოსახლარის აღმით, დაახლ. 60 *მ*-ზე, აღმოჩნდა საწარმოო უბანი. გამოვლინდა თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ალიზის ორსართულიანი ქურები და მასთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთები. ნამოსახლარის მახლობლად გამოვლინდა I—III სს. სამაროვანი. ძირითადად გაითხარა კრამიტსამარხები, აგრეთვე ორმოსამარხები (მ. შ. ხის ძელებით გაღახურულიც). კრამიტსამარხები ბრტყელი და ღარიანი კრამიტითაა ნაგები. გადახურვა ორფერდაა. ზოგს იატაკიც კრამიტისა ჰქონდა. სამარხებში აღმოჩნდა ჭურჭელი, სამკაული, რომაული და პართული მონეტები და სხვ.

1925 კარსნისხევის ბოლოში გათხარეს IV—V სს. სამაროვანი. ქვიშაქვის დიდი ქვებით ნაგები ქვაყუთები ბანურად იყო გადახურული. სამარხებში აღმოჩნდა სამკაული და ჩაცმულობასთან დაკავშირებული ნივთები.

კარსნისხევის სათავესთან მიწის ზედაპირზე შეინიშნება შუა ფეოდ. ხანის ნასოფლარი და პატარა ეკლესიები. იქვე, ხეობის მარჯვ. ნაპირას, დადასტურდა მინის საწარმოს ნაშთები.

ლიტ.: ლ ე მ ლ ე ი ნ ი გ., მინის საბერი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1945, ტ. 6, № 9; ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945; მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, [ტ.] 1—2, თბ., 1955—78; ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ვ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1977, № 1; ნ ი ო რ ა ძ ე გ., კარსნის-ხევის სასაფლაო, «საქართველოს მუზეუმის შრომები», 1926, ტ. 4.

ვ. ნიკოლაიშვილი.

ᲙᲐᲠᲡᲢᲘ, კ ა რ ს ტ უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი [გერმ. Karst, იუგოსლავიაში მდებარე *კარსტის* (კრასის) პლატოს სახელწოდებიდან], მოვლენები, რ-ებიც თავს იჩენს წყალში ხსნად ქანებში (კირქვა, დოლომიტი, ცარცი, თაბაშირი, ქვამარილი) მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის ნაკადების ზემოქმედების შედეგად. კარსტულ პროცესში წამყვანი როლი ენიჭება ქანების ქიმ. ხსნადობას. კარბონატული ქანები იხსნება თავისუფალი ნახშირორჟანგის ან სხვა მინერ. და ორგ. მჟავეების ზეგავლენით ($CaCO_3 + H_2O + CO_2 \rightleftarrows Ca^{2+} + 2HCO_3^-$). ქანების გახსნასთან ერთად ხდება მათი მექან. გადარეცხვა და წარმოიქმნება Კ-ის ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმების კომპლექსი (კარები, ძაბრები, აბაზანები, ქვაბულები, ბრმა ხეობები, პოლიები, ჭები, შახტები, უფსკრულები და სხვ.). კარსტად ქანებში, განსაკუთრებით ნაპრალების გასწვრივ, ყალიბდება მიწისქვეშა სიცარიელეები, მღვიმეები. მსოფლიოში უგრძესი მღვიმური სისტემაა მამონტ-ფლინტ-რიჯი (ჯამური სიგრძე 292 *კმ*, აშშ), სსრკ-ში უდიდესია მღვიმე ოპტიმისტური (109 *კმ*, პოდოლიეთში). მსოფლიოში ულრმესი უფსკრულია პიერ-სენმარტენი (1328 *მ*, ესპ.-საფრ. საზღვარზე), სსრკ-ში „თოვლიანი უფსკრული" (1020 *მ*, ბზიფის ქედზე). ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ფორმების კომპლექსი სრულად არის წარმოდგენილი შ ი შ ვ ე ლ Კ-ში, სადაც კარსტვადი ქანების ზედაპირი გაშიშვლებულია. თუ კარსტვადი ქანები დაფარულია ნიადაგითა და კორდით, გვექნება კ ო რ დ ი ა ნ ი Კ.; თუ ზედაპირს უხსნადი ფხვიერი ნაფენები ფარავს — დ ა ფ ა რ უ ლ ი Კ., თუ ზედაპირი კლდოვანი წარმონაქმნებითაა დაფარული — ჯ ა ვ შ ნ ი ა ნ ი Კ., თუ ხსნადი ქანები ღრმად არის განლაგებული არაკარსტვადი ქანების ქვეშ — დ ა მ ა რ ხ უ ლ ი Კ.

კარსტული მხარე ღარიბია ზედაპირული წყლის ნაკადებით, რადგან მდინარეები და ნაკადულები მიწისქვეშ იკარგება.

კარსტულ მოვლენებს გარეგნულად წაგავს ფ ს ე ვ დ ო კ ა რ ს ტ უ ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი: თ ერ მ ო კ ა რ ს ტ ი, რ-იც ვითარდება ყინულსა და მზრალ გრუნტებში; *კლასტოკარსტი*, „თ ი ხ ი ს Კ.", „ლ ი ო ს ი ს Კ.". მექან. სუფოზია და დანაწევებები ვითარდება ნამსხვრევ და ფოროვან გრუნტებში. ფსევდოკარსტის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობს ყინულის დნობა, წყლის ნაკადის მექან. მოქმედება, ფხვიერი გრუნტიდან მარილების გამოტუტვა (კარსტულ-სუფოზიური პროცესი).

სსრკ-ში კარსტი განვითარებულია აღმ. ევრ. ვაკეზე, ყირიმში, ურალში, კავკასიონზე და სხვ. საზღვარგარეთ: იუგოსლავიაში (Კ-ის კლასიკურ ქვეყნად ითვლება), ევრ. სხვა ქვეყნებში, აშშ-ში, ვესტინდოეთში, ჩინეთსა და ინდოჩინ. ნ.-კ-ზე.

ლიტ.: Г в о з д е ц к и й Н. А., Проблемы изучения карста и практика, М., 1972; М а к с и м о в и ч Г. А., Основы карстоведения, т. 1—2, Пермь, 1963—69; С о к о л о в Д. С., Осиевные условия развития карста, М., 1962; Т и н т и л о з о в З. К., Карстовые пещеры Грузии (морфологический анализ), Тб., 1976.

ზ. ტინტილოზოვი.

ᲙᲐᲠᲡᲢᲘ, კ რ ა ს ი (Kras). კირქვის პლატო იუგოსლავიის ჩრდ.-დას. ნაწილში (დას. დაბოლოება — იტალიაში), ისტრიის ნ.-კ-ის ჩრდ-ით. სიმაღლე 643 *მ*-მდე (მთა ტრსტელი). განვითარებულია რელიეფის კარსტული ფორმები. თითქმის მთლიანად მოკლებულია ზედაპირულ ჩამონადენს. მცენარეულობა ღარიბია. პლატოზეა ცნობილი მღვიმე *პოსტონსკა-იამა*. ქ. პოსტოინაში არის მღვიმეების შემსწავლელი ინ-ტი.

ᲙᲐᲠᲡᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐ (*კარსტი* და ...*ლოგია*), კ ა რ ს ტ ო მ ც ო დ ნ ე ო ბ ა, კეომორფოლოგიის ნაწილი, რ-იც შეისწავლის კარსტულ მოვლენებს, კარსტის წარმოშობას, განვითარებას, გავრცელებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას, აგრეთვე ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული წყლების თვისებებს, კარსტული სიცარიელეების მინერ. აგრეგატებს, სასარგებლო წიაღისეულს, კარსტით გამოწვეულ უარყოფით მოვლენებთან ბრძოლის ღონისძიებებს და სხვ. Კ. იყოფა კარსტის ჰიდროლოგიად, კარსტის ჰიდროგეოლოგიად, საინჟინრო კარსტომცოდნეობად, ისტ. კარსტომცოდნეობად და სხვ. Კ. მჭიდრო კავშირშია *სპელეოლოგიასთან*.

ზ. ტინტილოზოვი.

ᲙᲐᲠᲢᲐᲚᲘ, ქალაქი (1944-მდე დაბა) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, მდ. კარტალიაიატის (ტობოლის აუზი) ნაპირზე, მაგნიტოგორსკიდან 150 *კმ*. სარკინიგზო კვანძი. სარკინიგზო ტრანსპორტის საწარმოები, საშენ მასალათა, სას.-სან. მანქანების სათადარიგო ნაწილების, ხალიჩების წარმოება.

ᲙᲐᲠᲢᲐᲜᲘ (Cartan) ელი ჟოზეფ (9. IV. 1869, დოლომიე, — 6. V. 195:, პარიზი), ფრანგი მათემატიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1931). დაამთავრა უმაღლესი ნორმალური სკოლა (1891). 1912-იდან პარიზის უნ-ტის პროფესორი ძირითადი შრომები აქვს უწყვეტ ჯგუფთა თეორიაში,



სტ. *კალიები*, 1. ველის კალია (Asiotmethis muricatus), 2. იტალიური კალია (Calliptamus italicus); 3. Bryodema tuberculatum; 4. ცვალეადი კალია (Celes variabilis); 5. ცისფერფრთიანი კალია (Oedipoda caerulescens); 6. უფრთო კალია (Podisma pedestris); 7. Psophus stridulus; 8. ეგვიპტური კალია (Anacridium aegyptium); 9. Sphingonotus caerulans; 10. შავზოლიანი კალია (Oedaleus decorus); 11. ციმბირული კალია (Gomphocerus sibiricus); 12. ორფერა აკრიდა (Acrida bicolor); 13. ჯერიანი კალია (Pararcyptera microptera); 14. თეთრზოლიანი კალია (Chorthippus albomarginatus); 15. ჭრელი კალია (Arcyptera fusca); 16. Stauroderus scalaris; 17. მაროკოული კალია (Dociostaurus maroccanus); 18. აზიური ანუ გადამფრენი კალია (Locusta migratoria).

სურ. *ეკლესიის მოედანი.* სამხრეთ ფრაგი. მამაცტების, ცხენ-ნებისა და მარტიორქის გამოსახულებანი. ზემო პალეოლოგია.

დიფერენც. განტოლებათა თეორიასა და დიფერენც. გეომეტრიაში, 1894 საფუძველი ჩაუყარა ლის ჯგუფთა ალგებრულ თეორიას; 1913 შექმნა ნაჩევრად მარტივ ლის ჯგუფთა წარმოდგენის თეორია; შემდგომში დააკავშირა ლის ჯგუფები დიფერენც. გეომეტრიასა და ტოპოლოგიასთან. 1899—1902 შექმნა ე. წ. გარე ფორმების მეთოდი. მრავალგანზომილებიანი სივრცეების დიფერენც. გეომეტრიაში ააგო განზოგადებული აფინური, პროექციული და კონფორმული ბმულობის სივრცეები და შექმნა მოძრავი რეპერის ზოგადი მეთოდი. ყაზანის ფიზ.-მათ. საზ-ბამ კ-ს მიაკუთვნა (1937) ნ. ლობაჩევსკის სახელობის პრემია.

თხზ.: Selecta, P., 1939; Метод подвижного репера, теория непрерывных групп и обобщенные пространства, М.—Л., 1933.

ლიტ.: Chern S. S., Chevalley G., Élie Cartan and his mathematical work, «Bulletin of the American Mathematical Society», 1952, v. 58, № 2 (ბიბლიოგრ.).

კარტახენა (Cartagena), ქალაქი, დიდი ნავსადგური და სამრეწველო ცენტრი ესპანეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მურსიის ოლქში. 147 ათ. მცხ. (1970). კ. ტვირთბრუნვით (10 მლნ. ტ-ზე მეტი წელიწადში) ქვეყნის ყველაზე დიდი ნავსადგურია. გააქვთ ფერადი ლითონები და ხილი, შეაქვთ ნავთობი. ნავთობგადასამუშ. და ნავთობქიმ. საწარმოები თავმოყრილია გარეუბანში — სანავსადგურო ქალაქ ესკომბრერასში; ტყვიის, თუთიის, კადმიუმის წარმოება — გარეუბან ლა-უნიონში; გემთსაშენი, ქიმ. მრეწველობა. თესი.

კ. (ძველად — ა ხ ა ლ ი კ ა რ თ ა გ ე ნ ი) დააარსა ძვ. წ. დაახლ. 228 ჰასდრუბალმა როგორც კართაგენის სამხ. ბაზა ესპანეთში. ძვ. წ. 209 — ახ. წ. V ს. რომს ემორჩილებოდა. 425 აიღეს ვანდალებმა, 534 — ბიზანტიამ, VII ს-ში — ვესტგუთებმა, 711 — არაბებმა. 1243 კ. კასტილიაში შევიდა. ესპ. ეროვნ.-რევ. ომის (1936—39) დროს კ. რესპ. ფლოტის ერთ-ერთი ნავსადგური იყო.

კარტახენა (Cartagena), ქალაქი ჩრდ. კოლუმბიაში, კარიბის ზღვის სანაპიროზე. ბოლივარის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 340 ათ. მცხ. (1975). ქვეყნის მნიშვნელოვანი ნავსადგური. საავტ. გზით უკავშირდება ქ. ბოგოტას. ჩრდ. კოლუმბიის ეკონ. და სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ნაწარმის, ფეხსაცმლის, მცენარეული ზეთის, ფქვილის, შაქრის წარმოება. კ-ის მახლობლად არის ნავთობგადასამუშ. ქ-ნა, ქიმ. საწარმოები. გააქვთ ნავთობი, ყავა. დაარსა 1533 ესპ. კონკისტადორმა პედრო დე ერედიაძ ინდიელთა დასახლების ადგილზე.

კოლონ. პერიოდიდან შემორჩენილია ქალაქის კედლები და სიმაგრეები (1532—1796, ინჟ. ხ. ბ. ანტონელი, ა. დე არევალო და სხვ.), ტაძარი (1538 — 1796, არქიტ. ხ. კ. ჩაკონი და სხვ.), მონასტრები, ეკლესიები, XVI—XVIII სს. საცხოვრ. სახლები (ძირითადად ბაროკოს სტილი). თანამედროვე ნაგებობათაგან აღსანიშნავია ბეისბოლის სტადიონი (1947, არქიტ. გ. ა. ორტეგა, მ. გ. სოლანო).

კარტეზიანელობა, მიმართულება XVII—XVIII სს. ფილოსოფიასა და ბუნებისმეტყველებაში. მისი თეორ. წყაროა ფრანგი ფილოსოფოსის რ. *დეკარტის* (ლათინიზებული გვარია Cartesius — კარტეზიუსი; აქედან მოდის სახელწოდებაც) მოძღვრება. კ. არის თანამიმდევრული *დუალიზმი,* რ-იც მკაცრად მიჯნავს სამყაროს ორ თავისთავად სუბსტანციად — ერთია განფენილი (res extensa) სუბსტანცია, მეორე კი— მოაზროვნე (res cogitans). მაგრამ კ-მ ვერ გადაწყვიტა მათი ურთიერთკავშირის პრობლემა. კარტეზიანული გნოსეოლოგიის ამოსავალი პრინციპებია ცნობიერების თვითუეჭველობა („ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ") და *თანდაყოლილი იდეების* თვალსაზრისი. კ-ში ორი საპირისპირო ტენდენციაა: მატერიალ. მონიზმი (ჰ. დე რუა, ბ. *სპინოზა*) და იდეალ. ოკაზიონალიზმი (ა. *გეილინქსი,* ნ. *მალებრანში*).

კარტელი (ფრანგ. cartel < იტალ. cartello < carta — ქაღალდი, დოკუმენტი), გაერთიანებებსა და ფირმებს (უმთავრესად ერთი დარგის) შორის მონოპოლიური შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა, რ-ის მიზანია მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღება. შეთანხმების მონაწილენი ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. მათი ძირითადი საქმიანობაა წარმოებისა და გასაღების მოცულობის, გამოშვებული (მეტწილად ერთგვაროვანი) პროდუქციის ფასების რეგულირება, ძირითადი კომერც. ინფორმაციისა და პატენტების გაცვლა და სხვ. კ., როგორც მონოპ. გაერთიანების ყველა სხვა ფორმა, დაინტერესებულია მონოპოლიურად მაღალი მოგების მიღებით, კონკურენციულ ბრძოლაში პოზიციის გაძლიერებით, წარმოების შემდგომი მონოპ. კონცენტრაციითა და მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით. კ. ფართოდ განვითარდა XIX ს. დასასრ. და XX ს. I ნახევარში ომამდელ გერმანიაში. ანტიტრესტული კანონმდებლობით აშშ-ში აკრძალული იყო კ-ის შექმნა. მიუხედავად ამისა, იგი ცალკეულ დარგებში მაინც არსებობდა ფარულად. ეროვნ. კ-ებთან ერთად XX ს. 50—60-იან წლებში წარმოიშვა ისეთი საერთაშ. კ-ები, როგორიცაა: მანქანებისა და მოწყობილობათა, სასუქების, ნავთობისა და სხვ. მაგ., ნავთობის კ. აერთიანებს აშშ-ის, დიდი ბრიტ. და ნიდერლანდის 7 უდიდეს ნავთობის ტრესტს. თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს წარმოების კონცენტრაციის დონის შემდგომი სრულყოფა. ერთი კომპანიის მიერ მეორის შეერთებისა და შერწყმის პროცესი, რასაც მივყავართ ახ. კარტელურ შეთანხმებამდე, მიზნად ისახავს ფარული გასაღების დასაცავად, ფასების შესაცვლელად პატენტებისა და მეცნ. მიღწევათა ეფექტურ გამოყენებას.

კარტელური ფასი, ერთიანი მონოპოლიური ფასი, რ-საც ეროვნული კარტელის მონაწილენი საერთო შეთანხმების საფუძველზე ადგენენ, რათა კარტელში შემავალმა ცალკეულმა ფირმამ ვერ შეძლოს ფასის თვითნებურად დაკლება. კ. ფ., როგორც წესი, ბევრად მეტია კარტელურ შეთანხმებამდე არსებულ ფასებთან შედარებით. იგი უზრუნველყოფს კარტელში შემავალი ნაკლები ეფექტიანობის მქონე ფირმის სამ. მოგებას, დანარჩენი მონაწილე ფირმები კი მონოპ. მოგებას მიიღებენ. კ. ფ. წარმოადგენს *მონოპოლიური ფასის* ყველაზე გამოკვეთილ ფორმას, რ-ის არსებობა აფერხებს კარტელში შემავალი დარგების პროგრესს.

კარტერი (Carter) ჯეიმზ (ჯიმი) ერლ (დ. 1924), აშშ-ის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. დაამთავრა სამხრ.-დას. კოლეჯი და ატლანტის ტექნოლ. ინტი, სამხ.-საზღვ. აკადემია ანაპოლისში (მერილენდის შტ.). 1946—53 მსახურობდა აშშ-ის სამხ.-საზღვ. ძალებში (ლეიტენანტი). 1961-იდან ჯორჯიის შტ. სენატის წევრი. 1970—74 ამავე შტატის გუბერნატორი. 1976 არჩევნებში დაამარცხა რესპუბლიკელთა კანდიდატი, ჯ. ფორდი და 1977 იანვრიდან დაიკავა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი.

კარტერი (Carter) ჰერბერტ დაისონ (დ. 2. II. 1910, სენტ-ჯონი, ნიუბრანსუიკი), კანადელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. კომუნისტი, სსრკ-კანადის მეგობრობის საზ-ბის თავ-რე. სსრკ-ის ცხოვრების ამსახველი პროგრ. ყოველთვიური ჟურნალის „ნორთერნ ნეიბორზის" („Northern Neighbours") რედაქტორი 1956-იდან. ავტორია წიგნისა „რუსეთის საიდუმლო იარაღი" (1942), ანტიფაშისტური რომანისა „მომავალი ჩვენია" (1950) და „ჩვენ ვნახეთ სოციალიზმი" (1951—52; შარლოტ კარტერთან ერთად). მან პირველმა ასახა კანადურ ლიტ-რაში დიდი საწარმოს მუშათა ცხოვრება („უმამო ვაჟიშვილები", 1955). კ-მა გამოაქვეყნა აგრეთვე წიგნები „დიდი ტყუილი" (1958), „მეცნიერება და რევოლუცია" (1966), „მუშათა ხელისუფლება" (1970) და სხვ.

კარტერი (Carter) ჰოუარდ (9. V. 1873, სუეფემი, ნორფოკი, — 2. III. 1939, ლონდონი), ინგლისელი არქეოლოგი. 1891-იდან მონაწილეობდა თელ-ელ-ამარნისა და შუა ეგვიპტის სხვა თემების გათხრებში. 1902-იდან არქეოლ. გათხრები ჩაატარა მეფეთა ველზე; 1922 აღმოაჩინა XVIII დინასტიის ფარაონის ტუტანჰამონის (ძვ. წ. XV ს.) აკლდამა.

თხზ.: Гробница Тутанхамона, пер. с англ., М., 1959.

კარტერი (ინგლ. carter), მექანიზმებისა და მანქანების კოლოფისებრი უძრავი ნაწილი, რ-იც ასრულებს დეტალების საყრდენის როლს და იცავს მათ გაჭუჭყიანებისაგან. მაგ., დგუშიანი ძრავას კ. მუხლა ლილვის, მუშა ცილინდრების და სხვათა საყრდენია. კ-ის ქვედა ნაწილს იყენებენ საპოხი ზეთის რეზერვუარად. კ-ს ამზადებენ თუჯისაგან, თერმულად დაუმუშავებელი ფოლადისაგან, მსუბუქი ლითონების შენადნობებისაგან.

კარტეჩი (პოლ. kartecza<იტალ. cartoccio, სიტყვასიტყვით — ხვეული, ვაზნა), 1. საარტილერიო ჭურვის ერთ-ერთი სახეობა. იყენებდნენ არტილერიაში ახლო მანძილზე მტრის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, XIV—XVI სს-ში კ-ს სხვადასხვაგვარი ზომა და ფორმა ჰქონდა, ამზადებდნენ ქვისა და რკინის ნატეხებისაგან. XVII—XIX სს-ში კ. წარმოადგენდა სფეროს ფორმის თუჯისა და ტყვიის ტყვიებით დატენილ ჭურვს. კ-ის ტყვიებს მომაკვდინებელი ძალა ჰქონდა 300 *მ*-მდე მანძილზე. თანამედროვე არტილერიაში არ გამოიყენება. 2. მსხვილი საფანტი (5 *მმ* დიამეტრი) სანადირო თოფისათვის.

კარტი (ინგლ. cart), მცირე მოედანზე სარბოლი მიკროლიტრაჟიანი ავტომობილი ორტაქტიანი ძრავათი. კ-ს არა აქვს ძარა, წინა და უკანა თვლების დრეკადი საკიდარი, დიფერენციალი. სსრკ-ში შეჯიბრზე (კარტინგი) დაიშვება 5 კლასის კ. ყველაზე გავრცელებულია ა კლასისა (ძრავას მუშა მოცულობა 100 *სმ*³-მდე) და ბ კლასის (მუშა მოცულობა 125 *სმ*³-მდე) კ-ები. გზის სწორ მონაკვეთზე კ-ის მიერ განვითარებული მაქს. სიჩქარეა 150 *კმ/სთ.*

კარტიკამი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში, ახალქალაქის პლატოზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., აბული, ბავრა, ბუზავეთი, გულიკამი, თახჩა, ხულგუმო). ზ. დ. 1740 *მ*, ახალქალაქიდან 8 *კმ*. მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

კარტინგი (ინგლ. carting), რბოლა *კარტებით* (უსაკიდო მიკროავტომობილებით). კ-ის ტრასები რთული კონფიგურაციით გამოირჩევა. ბევრია სხვადასხვა რადიუსიანი (უმეტესად მოკლე) მისახვევმოსახვევი. საერთაშ. საავტ. ფედერაციის (ფია) მიხედვით, ტრასების სიგრძეა 400—1200 *მ*, სიგანე — 6—10 *მ*, სწორი მონაკვეთის სიგრძე — 100 *მ*-მდე. კ. როგორც ახალგაზრდული შეჯიბრება, განსაკუთრებით გავრცელდა სსრკ-ში (პირველი ავტორბოლა ჩატარდა ვენტსპილსში, ლატვ. სსრ, 1961). ყოველწლიურად ტარდება ქვეყნის პირველობა მოზრდილთა (125 და 175 *სმ*³ მოცულობის ძრავიანი კლასები) და მოზარდთა (50 და 121 *სმ*³-იანი კლასები) შორის. კ. შედის სამხ.-ტექ. სახეობების საკავშ. სპარტაკიადის პროგრამაში. ყოველწლიურად ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი(100 *სმ*³-მდე, გადაცემათა კოლოფის გარეშე, მანქანის მასა მრბოლელთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს

კარსტი

ავენ-გროტ-დე-მარზალის კარსტული მღვიმე (საფრანგეთი). „ბრილიანტის დარბაზი".

კარსტული მღვიმე პოსტონისკა-იამა (იუგოსლავია).



კარტახენა. ინკვიზიციის სასახლე. 1706. პორტალი—1770.



კარტი.



აზიმუტური პროექციები ცილინდრული პროექციები კონუსური პროექციები



ორიი (პირიზონტული) პროექციები გენიი (კვეტორული) პროექციები

ლამბერტის ტოლფიდი პოლარული აზიმუტური პროექცია



მასშტაბი 1:500 000 000

პოსტელის ტოლფორისული პოლარული აზიმუტური პროექცია



მასშტაბი 1:500 000 000

პერსპექტული ორთოგრაფიული ეკვატორული პროექცია



მასშტაბი 1:350 000 000

პერსპექტული სტერეოგრაფიული ეკვატორული მსგავსი პროექცია



მასშტაბი 1:700 000 000

პერსპექტული ცენტრალური პირიზონტული პროექცია



მასშტაბი 1:150 000 000

Z ხების წერტილი
φ_0 მისი განედი (60°)
თ—ორთოდრომა
ლ—ლოქსოდრომა

ამ პროექციის მთავარი თვისებაა: უმოკლესი მანძილი ნებისმიერ ორ წერტილს შორის—ორთოდრომა—სწორი ხაზია

120 *კგ*) კლასის გუნდებს შორის. იხ. აგრეთვე სტ. *საავტომობილო სპორტი.*

კარტინი (Kartini) რადენ აჯენგ (21. IV. 1879, სოფ. მაიონგი, ცენტრ. იავა, — 17. IX. 1904, ქ. რემბანგი), ინდონეზიელი განმანათლებელი ქალი. ჯაპარის (იავა) რეგენტის ქალიშვილი. ფლობდა ჰოლანდ. ენას, ამ ენაზე შეისწავლა ვრცელი ლიტ-რა, მ. შ. ჰოლანდ. სოციალისტების ზოგიერთი შრომა. გამოდიოდა ძვ. ფეოდ. ჩვეულებების წინააღმდეგ, იღვწოდა ქალთა ემანსიპაციისათვის. კ-ს განათლება მიაჩნდა ქალის განთავისუფლებისა და ინდონეზ. ხალხის პროგრესის ძირითად საშუალებად. კ-ის იდეებმა დიდი გავლენა იქონია ორგანიზებული ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მონაწილეებზე.

კარტოგრამა აგროქიმიური, რუკა, რ-იც გვიჩვენებს რამდენად უზრუნველყოფილია ნიადაგი მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ელემენტებით (ფოსფორი, კალიუმი, აზოტი, მაგნიუმი, მიკროელემენტები), ან საჭიროა თუ არა ნიადაგის გათაბაშირიანება და გაკირიანება. არის მსხვილ-, საშუალო- და მცირემასშტაბიანი რუკები. სსრკ სოფ. მეურნეობაში მ ს ხ ვ ი ლ მ ა ს შ ტ ა ბ ი ა ნ კარტოგრამას იყენებენ მეურნეობაში სასუქების საერთო საჭიროების განსასაზღვრავად, ცალკეულ მინდორზე მათი სახეობისა და დოზის დასადგენად, ნიადაგის გათაბაშირიანებისა და გაკირიანების გეგმის შესამუშავებლად.

სსრკ ცალკეული ოლქებისა და სას.-სამ. ზონებისათვის ადგენენ ს ა შ უ ა ლ ო მ ა ს შ ტ ა ბ ი ა ნ კარტოგრამებს, ზოგიერთი რესპ. და ეკონ. რ-ნისათვის— მ ც ი რ ე მ ა ს შ ტ ა ბ ი ა ნ ს. კ. ა-ის შესადგენად ცალკეული ნაკვეთებიდან აღებული ნიადაგის შერეულ ნიმუშებში განსაზღვრავენ მცენარისათვის მისაწვდომ საკვებ ელემენტებს და იყენებენ ნიადაგის უზრუნველყოფის ინდექსს (მითითება მცენარისათვის შესათვისებელი ამა თუ იმ საკვები ელემენტით ნიადაგის უზრუნველყოფის შესახებ, რ-შიც გათვალისწინებულია ნიადაგურ-კლიმ. პირობები და მცენარის ბიოლ. თავისებურებები). ამის მიხედვით ნიადაგები იყოფა 4 ჯგუფად: საკვები ელემენტით ძლიერ ღარიბ, ღარიბ, საშუალოდ უზრუნველყოფილ და უზრუნველყოფილ ნიადაგებად, რ-ებიც კარტოგრამაზე აღინიშნება სხვადასხვა ფერით ან სხვა განმასხვავებელი ნიშნით. კ. ა-ს ადგენენ ზონალური აგროქიმ. ლაბორატორიები. პირველი კ. ა. საქართველოში 1959 შეადგინეს საქართველ. სას.-სამ. ინ-ტის აგროქიმ. და ნიადაგთმცოდნეობის კათედრის თანამშრომლებმა ოჩხამურის ლენინის სახ. ჩაის საბჭ. მეურნეობისათვის.

ლიტ.: ს ა რ ი შ ვ ი ლ ი ი., აგროქიმიური კარტოგრამა და მისი მნიშვნელობა, თბ., 1965; ს ა რ ი შ ვ ი ლ ი ი., თ ო დ უ ა გ., აგრონომიული ქიმია საქართველოში, თბ., 1970; Руководство по составлению почвенных и агрохимических карт, М., 1964.

ი. სარიშვილი.

კარტოგრაფია (ბერძნ. chartēs — საწერი ფურცელი ან პაპირუსის გრაგნილი და ...*გრაფია*), მეცნიერება ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ. ეს კონკრ. სივრცე, როგორც სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ურთიერთგანლაგების წესრიგი, სამგანზომილებიანი, დროში ცვალებადი კონტინიუუმია. მისი ასახვისათვის კ. იყენებს სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას — „რუკის ენას" (იხ. *გამოსახვის კარტოგრაფიული ხერხები*) და სპეციფ. მეთოდს — კარტოგრაფიულ მოდელირებას. კარტოგრაფიული შემეცნების შედეგს წარმოადგენს საკვლევი სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელი, რასაც მეცნ. და საზ. პრაქტიკაში რუკა ეწოდება (იხ. *გეოგრაფიული რუკა*).

მთელი სინამდვილის შესაბამისად, კ. და რუკები ორ — დედამიწისეულ და კოსმ. ჯგუფად იყოფა. პირველში შედის გეოგრ. კ. და გეოგრ. რუკები, მეორეში — ასტრონ. კ. და ასტრონ. რუკები.

რეალური სინამდვილის კონკრ. სივრცეს აქვს გარკვეული სტრუქტურა. მისი ელემენტებია ათვლის სივრცითი სისტემა და მის მიმართ ურთიერთგანლაგების დროში ცვალებად წესრიგში მყოფი საგნები და მოვლენები. შესაბამისი სტრუქტურა აქვს იმავე სინამდვილის კარტოგრაფიულ გამოსახულებასაც (რუკას). გეოგრ. კ-თვის ათვლის სივრცით სისტემად მიჩნეულია დედამიწის საკოორდინატო ბადე — *გრადუსთა ბადე,* რ-ის გამოსახულება სიბრტყეზე — *კარტოგრაფიული ბადე*— გეოგრ. რუკის მათ. საფუძველს წარმოადგენს და მიიღება გარკვეული *კარტოგრაფიული პროექციის* დახმარებით.

გეოგრ. სინამდვილის საგნების (მაგ., ოკეანეები და ხმელეთი, მდინარეთა ქსელი, რელიეფი, დასახლ. ადგილები და სხვ.), მოვლენების (მაგ., ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები, ზედაპირული ჩამონადენი, და სხვ.), მოსახლ. ეროვნ. შემადგენლობის, განათლებისა, და ა. შ. გამოსახულებებს კარტოგრაფიული ბადის მიმართ ზუსტად ისეთივე განლაგება აქვს რუკაში, როგორც სინამდვილეში. ეს არის სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელის უნიკალური თავისებურება, რაც მას დიდ მეცნ. და პრაქტ. მნიშვნელობას ანიჭებს.

გეოგრ. კ-თვის მნიშვნელობა აქვს გეოდეზიის მონაცემებს დედამიწის ფორმისა და ზომების შესახებ, საყრდენი წერტილების კოორდინატებსა და აეროფოტოტოპოგრაფიული გადაღების მასალას, რ-თა საფუძველზე მიიღება დედამიწის ყველა *რუკის* პირველწყარო — *ტოპოგრაფიული რუკა.* ამ თვალსაზრისით შედის კ. ტექ. მეცნ. ციკლში, ხოლო სინამდვილის გარკვეული მხარის კარტოგრაფიული მეთოდით გამოკვლევის პროცესში იგი უკავშირდება საბუნებისმეტყველო და საზ. მეცნიერებებს, რ-ებსაც თავისი შემეცნების საგნის შინაარსის გარდა, საგნის სივრცითი თავისებურებებიც აინტერესებს. ამ კავშირის საფუძველზე იქმნება სპეც. სამეცნ. კარტოგრაფიული დისციპლინები (მაგ., გეოლ. კ., გეომორფოლ. კ., ეკონ. კ.) და მათი განმაზოგადებელი დისციპლინა—თემატიკური კ.

კ-ის შემადგენელი სამეცნ. დისციპლინებია: კ-ის ზ ო გ ა დ ი თ ე ო რ ი ა — მოძღვრება საგანზე, მეთოდსა და ენაზე; რ უ კ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა — მოძღვრება რუკისა და მისი ანალიზის, კარტოგრაფიული წყაროთმცოდნეობის, რუკათა კლასიფიკაციისა და ისტ. შესახებ; მ ა თ ე მ ა ტ ი კ უ რ ი კ. — მოძღვრება კარტოგრაფიულ პროექციებზე; რ უ კ ა თ შ ე დ გ ე ნ ა დ ა რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ ა — რუკათა შექმნის თეორია და ტექნოლოგია, რ-იც შეიცავს აგრეთვე რუკის გაფორმების ხელოვნებას; რ უ კ ა თ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა— კარტოგრაფიული ინფორმაციის ობიექტივაციისა და გარდაქმნის თეორია, რ-იც შეიცავს კ ა რ ტ ო მ ე ტ რ ი ა ს — მოძღვრებას რუკებზე სინამდვილის საგნებისა და მოვლენების გაზომვების შესახებ. კ. უკავშირდება პოლიგრაფიას — რუკებისა და ატლასების გამოცემის ხაზით და ეკონომიკას — კარტოგრაფიული წარმოების ეკონ. და ორგანიზაციის ხაზით.

უძველესი კარტოგრაფიული გამოსახულებანი, რ-ებმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, შექმნილია ბაბილონსა და ეგვიპტეში ძვ. წ. III—I სს-ში. პირველი რუკები, რ-ებშიც გათვალისწინებულია დედამიწის სფერული ფორმა, ძვ. საბერძნეთს ეკუთვნის. კლავდიოს პტოლემეს „გეოგრაფიის სახელმძღვანელო" (II ს.) არსებითად რუკათშედგენის წესთა კრებულს წარმოადგენს და, მსოფლიოს რუკის გარდა, მისი ნაწილების 16 რუკას შეიცავს. შუა საუკუ-

ნეებში ნაოსნობისა და კოლონიზაციის განვითარებას მოჰყვა რუკების, გლობუსებისა და ატლასების შექმნის ინტენს. პროცესი. მაშინ „კ-ის" ცნება არ არსებობდა, გეოგრაფიასა და ასტრონომიასთან ერთად იგი კოსმოგრაფიად მიიჩნეოდა. ამ ხანის კ-მ თავის კულმინაციურ განვითარებას ჯ. *მერკატორის* (XVI ს.) ნაშრომებში მიაღწია.

რუსეთსა და საქართველოში პირველი, ჩვენამდე მოღწეული კარტოგრაფიული ნაწარმოებები XVIII ს. ეკუთვნის. აღსანიშნავია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი ორი ქართული ატლასი საქართვ. და მისი მომიჯნავე ქვეყნებისა (1735 და 1745) და იმავე საუკუნის 40—50-იან წლებში ქართულსა და რუს. ენებზე შესრულებული 8 რუკა. ამავე წლებში რუს. მეცნ. აკად. გეოგრ. დეპარტამენტმა შეადგინა რუს. კ-ის პირველი კაპიტ. კარტოგრაფიული ნაწარმოები „Атлас Российской..." (1745).

XIX ს-ში, როდესაც გეოგრ. მეცნიერება ჩამოყალიბდა, მას გამოეყო რუკათშედგენის დარგი, რ-საც „კ." ეწოდა, მაგრამ მეცნიერებად მხოლოდ მათ. კ. ითვლებოდა, ხოლო მთელი დანარჩენი კ. რუკათშედგენის ხელოვნებად იყო მიჩნეული. ახალი შეხედულება, რ-იც პირველად სსრკ-ში 1930-იან წლებში ჩამოყალიბდა, კ-ს თვლიდა მეცნიერებად გეოგრ. რუკის, მისი შექმნისა და გამოყენების მეთოდების შესახებ, რაც იმ დროისათვის პროგრ. მოვლენა იყო. მეცნ. კ-ის ჩამოყალიბებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, როგორც მსოფლმხედველურსა და მეთოდოლ. საფუძველს, და ვ. ი. ლენინის 1920—21 წერილებს პირველი საბჭ. გეოგრ. ატლასების შექმნის საკითხებზე.

უმაღლესი კარტოგრაფიული განათლება სსრკ-ში პირველად 1923 შემოიღეს მოსკოვში, სამიჯნაო ინ-ტში (ამჟამად მოსკ. გეოდეზიის, აეროგადაღებისა და კ-ის ინ-ტი). 1929—30-იდან მოსკ. და ლენინგრ. უნ-ტების გეოგრ. ფაკ-ტებზე დამკვიდრდა საუნივერსიტეტო კ. საქართველოში კ-ის სპეციალისტებს ამზადებს თსუ.

ლიტ.: ასლანიკაშვილი ა., კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968; ცხაკაია ს., კარტოგრაფია, თბ., 1962; Письма В. И. Ленина о картографии, «Геодезия и картография», 1969, №3; Асланикашвили А. Ф., О предмете познания картографии, «თსუ შრომები», 1972, ტ 144; მისივე, Метакартография, Тб., 1974; Салищев К. А., Предмет и метод картографии (некоторые современные взгляды), «Вестник МГУ. География», 1970, № 2; მისივე, Картоведение, М., 1976.

ა. ასლანიკაშვილი.

კარტოგრაფიული ბადე, მერიდიანებისა და პარალელების ბადის გამოსახულება სიბრტყეზე—გეოგრაფიული და ასტრონომიული რუკების მათემატიკური საფუძველი. გამოსახავს დედამიწის, სხვა ციური სხეულების ან ვარსკვლავიერი ცის თაღის შემცველელი" გეომ. სხეულის (ელიფსოიდის ან სფეროს) ზედაპირს. კ. ბ. აგებულია ამა თუ იმ *კარტოგრაფიულ პროექციაში* და მისი მათ. თვისებების შესაბამისად არის დამახინჯებული. მაგრამ ეს დამახინჯება არ ცვლის რუკაში მერიდიანებისა და პარალელების მიმართ საგნებისა ა მოვლენების განლაგების ობიექტურად რსებულ წესრიგს. ამიტომ რუკა ყოველთვის ინარჩუნებს მეცნ. საფუძველს და შეეცნებით მნიშვნელობას.

ა. ასლანიკაშვილი.

კარტოგრაფიული მეთოდი გამოკლევისა, საკვლევი სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელირება და მიღებული მოდელის ობიექტივაცია საკვლევი სინამდვილის შესახებ ახალი ცოდნის მისაღებად. შეიცავს 2 ეტაპს: 1. კვლევის ობიექტის კარტოგრაფირება ემპირიული მასალის საფუძველზე კარტოგრაფიული მოდელის (რუკის) მისაღებად; 2. მოდელის ფუნქციონირება ისეთი ცოდნის მოსაპოვებლად, რ-იც მოდელირებამდე და მოდელირების პროცესში უცნობი იყო. მაგ., სიმაღლითი ნიშნულების n რაოდენობის საფუძველზე მიიღება მოცემული ტერიტ. რელიეფის უწყვეტი გამოსახულება იზოჰიფსებით (რელიეფის ჰიფსომეტრიული კარტოგრაფიული მოდელი), რ-იც გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ n რაოდენობის წერტილების, არამედ ყველა წერტილის სიმაღლის შესახებ (მოდელის ქმნადობის პროცესში დაბადებული ახ. ცოდნა n-ის ნაცვლად არის ∞). ამავე რუკის ობიექტივაცია გარკვეული გარდაქმნების გზით გვაძლევს ახ. ცოდნას რელიეფის ზედაპირის დახრის კუთხეების, დანაწევრების სიხშირისა და სიღრმის, აზეევებისა თუ დაძირვის უბნების, ფართობებისა და მოცულობების, გრავიტაციის ზედაპირული ქსლისა და სხვ. შესახებ.

რადგან კარტოგრაფიულ მოდელში საკვლევი სინამდვილის უშუალოდ დაკვირვებადი თუ დაუკვირვებადი (მაგ., მოსახლ. სიმჭიდროვე) მოვლენების სივრცეა მოდელირებული, კ. მ-ის გამოყენების პრინციპული აუცილებლობა სწორედ იქ არის, სადაც ბუნებისა თუ საზოგადოების მოვლენათა სივრცითი სტრუქტურებისა და სივრცითი ცვალებადობის კვლევაა საჭირო.

კარტოგრაფიული მოდელის ობიექტივაციის ძირითადი ფორმებია: 1. მოვლენათა სივრცითი ფორმებისა და სტრუქტურის აღწერა; 2. ერთი შინაარსის რუკის გრაფიკული გარდაქმნები სხვა შინაარსის რუკათა მისაღებად; 3. საკვლევ მოვლენათა ახ. პარამეტრების მიღება გრაფიკულ-ანალიზური გარდაქმნების გზით; 4. მოვლენათა სივრცის მათ. ანალიზი და აპროქსიმაცია; 5. ზედაპირის სტატ.-მათ. ანალიზი; 6. რუკის შინაარსის ანალიზი ინფორმაციის თეორიის მეთოდებით.

კ. მ. აღრმავებს და აფართოებს გეოგრ. მეცნიერებათა მოქმედების სფეროს.

ლიტ.: ასლანიკაშვილი ა., კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968; Берлянт А. М., Картографический метод исследования, კრ.: Итоги науки. Картография 1967—1969, в. 4, М., 1970; Салищев К. А., Картоведение, М., 1976.

ა. ასლანიკაშვილი.

კარტოგრაფიული პროექციები, სიბრტყეზე ელიფსოიდური ან სფერული ზედაპირის გამოსახვის მათემატიკური ხერხები გეოგრაფიული თუ ასტრონომიული რუკების მათემატიკური საფუძვლის — *კარტოგრაფიული ბადის* ასაგებად.

დედამიწის მათ. ფორმად ელიფსოიდია მიჩნეული, ამიტომ გეოგრ. რუკის კარტოგრაფიული ბადის ასაგებად *დედამიწის ელიფსოიდის* ბრტყელ პროექციას მიმართავენ. სხვა პლანეტების, თანამგზავრებისა და ვარსკვლავიერი ცის თაღის მათ. ფორმას სფერო წარმოადგენს და, შესაბამისად, ასტრონ. რუკების კარტოგრაფიული ბადის მისაღებად სფეროს ბრტყელ პროექციას აგებენ. ვინაიდან დედამიწის შეკუმშულობა იმდენად მცირეა, რომ წვრილმასშტაბიან რუკებში იგი კარტოგრაფიული ბადის აგების გრაფ. სიზუსტეში „იჩქმალება", გეოგრ. რუკებისათვის, ხშირად, უფრო მიზანშეწონილად სფერული ზედაპირის ბრტყელი პროექცია მიიჩნევა (ამ შემთხვევაში იღებენ დედამიწის ელიფსოიდის ზედაპირის ტოლფართ სფეროს, რ-ის $R=637116$ *მ*).

კ. პ-ის პრინციპულად აუცილებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ სფერული (ელიფსოიდური) ზედაპირის ნებისმიერ წერტილს, განსაზღვრულს φ და λ სფერული (გეოგრ., ასტრონ.) კოორდინატებით, კარტოგრაფიულ ბადეზე (პროექციაზე) შეესაბამებოდეს ერთადერთი წერტილი, განსაზღვრული x და y მართკუთხა კოორდინატებით. ამიტომ კ. პ-ის ზოგადი განტოლებაა $x=f_1(\varphi, \lambda)$, $y=f_2(\varphi, \lambda)$, სადაც f_1 და f_2 ფუნქციებია, რ-ებიც წინასწარ გარკვეულ ზოგად პირობას აკმაყოფი-





მასშტაბი ეკვატორზე 1:500 000 000



ეს პროექციის უნიკალური თვისება—ლოქსოდრომა ერთ ნებისმიერ წერტილს შორის სწორი ხაზია



მასშტაბი ეკვატორზე 1:550 000 000

გ. კარტოზია.

კარტოფილის ბუჩქი.

ლებს. მერიდიანებისა (λ=const) და პარალელების (α=const) გამოსახულებანი ქმნიან კარტოგრაფიულ ბადეს მოცემულ კ. პ-ში. კ. პ-ში იგულისხმება, რომ სიბრტყედ გასაშლელი სფერო, ნატურალური სიდიდის სფეროს შემცირებული გეომეტრიული მოდელი ანუ *გლობუსია*. სიბრტყედ გაშლილი ასეთი გლობუსი თავის ზომებს ყველგან ვერ შეინარჩუნებს და მის პროექციას M_0 მთავარი მასშტაბის გვერდით გაუჩნდება უამრავი M კერძო მასშტაბი, ცვალებადი არა მარტო წერტილიდან წერტილში, არამედ წერტილიდან სხვადასხვა მიმართულებითაც. კერძო და მთავარი მასშტაბის ფორმულებია, შესაბამისად, $M=\frac{ds}{dS}$ და $M_0=\frac{ds_0}{dS}$, სადაც ds არის უსასრულოდ მცირე მანძილი სიბრტყეზე, ds_0— მისი შესაბამისი მანძილი გლობუსზე და dS — მათი შესაბამისი მანძილი რეალურ სფეროზე (ელიფსოიდზე). კერძო მასშტაბის მთავართან შეფარდება გვაძლევს მასშტაბის გადიდებას—$C=\frac{ds}{ds_0}$. კ. პ-ის დასახასიათებლად უფრო მოსახერხებელია, თუ მთავარი მასშტაბი ერთის ტოლად იქნება მიჩნეული და C-ს კერძო მასშტაბს ვუწოდებთ. მაშინ მისი მნიშვნელობის 1-იდან გადახრა, პროექციის დამახინჯებაზე მიგვანიშნებს (გადიდებაზე, როცა $C>1$, შემცირებაზე, როცა $C<1$). როგორც წესი, პროექციას ყოველ წერტილში რომელიღაც ორი ურთიერთმართობული მიმართულებით კერძო მასშტაბების ექსტრემული მნიშვნელობები ექნება (C_{max}, C_{min}). ამ მიმართულებებს მთავარი მიმართულებები ეწოდება. თუ მათ, შესაბამისად, მერიდიანისა და პარალელის მიმართულებები ემთხვევა, მაშინ კარტოგრაფიულ ბადეს ნორმალური ეწოდება. ნორმალური ბადის კერძო მასშტაბებს m-ით (მერიდიანის მიმართულებით) და n-ით (პარალელის მიმართულებით) აღნიშნავენ. კ. პ-ის გამოთვლისას კერძო მასშტაბების მნიშვნელობებიც გამოითვლება; უფრო ხშირად, პროექციის შერჩევისას მათ სასურველ მნიშვნელობებს ემყარებიან. მანძილების გარდა კ. პ. ამახინჯებენ კუთხეებსა და ფართობებს; m-ისა და n-ის მნიშვნელობანი მათ შესახებაც სრულ წარმოდგენას იძლევა. თუ კ. პ. აკმაყოფილებს პირობას $m=1$, მაშინ კარტოგრაფიული ბადის მერიდიანები დაუმახინჯებელია და პროექცია მერიდიანების მიმართულებით ტოლშორისეულია. თუ $n=1$, მაშინ პროექცია ტოლშორისეულია პარალელების მიმართულებით. კ. პ., რ-ებიც აკმაყოფილებს პირობას $m=n$, არ ამახინჯებს კუთხეებს და ტოლკუთხაა (მსგავსია), ხოლო თუ იგი აკმაყოფილებს პირობას $m \cdot n=p=1$, მაშინ დაუმახინჯებელი რჩება ფართობები და პროექციები ტოლდიდია (ტოლფართია). კ. პ., რ-ებიც ამ პირობათაგან არც ერთს არ აკმაყოფილებს, ნებისმიერი პროექციებია.



კარტოფილასალები კომბაინის მუშა პროცესის სქემა: ა—ელევატორიანი მოდიფიკაციისა; ბ—ცხაურიანი მოდიფიკაციის; 1—ამომთხრელი სახნისი; 2—ბუერდული; 3—ელევატორის იძულებითი შენჯღრევის მექანიზმი; 4—მთავარი ელევატორი; 5—კოშტების დამშლელი; 6, 7—ცხავის გისოსები; 8—ლეროფოჩის მომცილებელი მოწყობილობის ტრანსპორტიორი; 9—ასაქცევი წნელები; 10—მიმჭერი ტრანსპორტიორი; 11—დოლური ტრანსპორტიორი; 12—გადამრჩევი ტრანსპორტიორი; 13 — გამყოფი; 14—მინარევების ტრანსპორტიორი; 15—ჩამტვირთი ელევატორი; 16—საგორველა.

კ. პ-ის დამახინჯებათა საილუსტრაციოდ მიმართავენ უსასრულოდ მცირე წრეს, რ-ის პროექცია სიბრტყეზე, როგორც წესი, ელიფსის სახეს იღებს. ამ ელიფსს დამახინჯების ელიფსი ეწოდება. ელიფსის ღერძების ორიენტაცია კერძო მასშტაბების ექსტრემულ მიმართულებებს ემთხვევა და რაკი ნახევარღერძების სიგრძე ნორმალურ ბადეში m და n მნიშვნელობებით განისაზღვრება, ელიფსის ზომა და ორიენტაცია ყოველ მოცემულ წერტილში პროექციის დამახინჯების ხასიათს აღწერს. იმ შემთხვევაში, როცა $m=n$, დამახინჯების ელიფსის ნაცვლად კვლავ წრეს, მაგრამ უფრო მეტი ფართობის წრეს ვიღებთ. ეს ხდება მსგავს პროექციებში, რ-ებიც კუთხეებს არ ამახინჯებენ, მაგრამ ფართობებს ზოგან უსასრულობამდე ადიდებენ. სიგრძეების, კუთხეებისა და ფართობების დამახინჯებათა ცვალებადობას კარტოგრაფიულ ბადეზე ზოგჯერ იზოხაზებით გამოსახავენ, მათ შესაბამისად უწოდებენ სიგრძეების, კუთხეებისა და ფართობების იზოკოლებს. კარტოგრაფიული ბადის ხასიათს აღწერს აგრეთვე ორთოდრომის (დიდი წრის რკალის) ანუ ე. წ. გეოდეზ. ხაზების და ლოქსოდრომის გამოსახულებანი პროექციაზე. ლოქსოდრომა ეწოდება ხაზს სფეროზე, რ-იც ყოველ მერიდიანს ერთსა და იმავე კუთხით კვეთს.

კ. პ-ის სიჭრავლეს ზღვარი არა აქვს. მათ კლასიფიკაციებს სხვადასხვა ნიშანი უდევს საფუძვლად. ერთი ნიშანთაგანია ზემოთხსენებული დამახინჯების თვისებები, მეორეა — პროექციის დამხმარე ზედაპირი — შემხები სიბრტყე (ცილინდრი, კონუსი), რ-ზეც უნდა გაიშალოს ელიფსოიდური ან სფერული ზედაპირი. დამხმარე ზედაპირის შესაბამისად პროექციებს ეწოდება: აზიმუტური (პერსპექტიული და არაპერსპექტიული), ცილინდრული (მხები ან მკვეთი), კონუსური (მხები ან მკვეთი), ფსევდოცილინდრული, ფსევდოკონუსური, პოლიკონუსური. დამხმარე ზედაპირების სფეროსადმი განლაგების თავისებურებების შესაბამისად აზიმუტურ პროექციებში გამოიყოფა: პოლარული (შეხების წერტილის $\varphi=90°$), ეკვატორული ($\varphi=0°$) და ჰორიზონტული ($90°>\varphi>0°$); ცილინდრულსა და კონუსურ პროექციებში — სწორი (ცილინდრის ან კონუსის ღერძი ემთხვევა დედამიწის სფეროს ღერძს), განივი (ღერძებს შორის კუთხე 90°-ია) და ირიბი (ღერძებს შორის კუთხე 90°-ზე ნაკლები და 0°-ზე მეტია). პერსპექტიულ პროექციებში დაგეგმილება პერსპექტივის კანონებს ემორჩილება და დამოკიდებულია ხედვის წერტილის განლაგებაზე სიბრტყის სფეროსადმი შეხების წერტილის მიმართ: თუ ხედვის წერტილი უსასრულოდ შორსაა, ვიღებთ ორთოგრაფიულ პროექციას; თუ სასრულ მანძილზეა, მაგრამ სფეროს გარეთ, ვიღებთ გარეგან პროექციას; თუ სფეროზეა, შეხების წერტილის მოპირდაპირე მხარეს, პროექცია სტერეოგრაფიულია; ხოლო თუ ხედვის წერტილი სფეროს ცენტრშია, პროექციას ცენტრალური ეწოდება. ყოველ მათგანს თავისი სპეციფთვისება და გამოყენება აქვს (იხ. ნახ.).

ლიტ.: Гинзбург Г. А., Картографические проекции, М., 1951; Граур А. В., Математическая картография, 2 изд., Л., 1956.

ა. ასლანიკაშვილი.

კარტოგრაფიული ხელსაწყოები, ხელსაწყოები, რ-ებსაც იყენებენ რუკების შესადგენად და გასაფორმებლად (გამოცემისთვის მოსამზადებლად). რუკის მათ. საფუძვლის (კარტოგრაფიული ბადე, საყრდენი პუნქტები) შესადგენად ხმარობენ კოორდინატოგრაფებს, ლობანოვის დიდ სახაზავებიან შტანგენფარგლებს, ლეკალოებს, დრობიშევის სახაზავებს, ნორმალურ (ჟენევის) სახაზავებს. კარტოგრაფიული მასალიდან კარტოგრაფიული გამოსახულების გადასატანად იყენებენ პანტოგრაფებს, სარეპროდუქციო დანადგარებს, პროექტორებს, კარტოგრაფიულ ტრანსფორმატორებს, რ-ებიც საშუალებას იძლევა წყაროს კარტოგრაფიული პროექციის შეცვლით ან შეუცვლელად გადიდდეს ან შემცირდეს გამოსახულება. რუკის შესადგენი და გასაფორმებელი (საგამომცემლო) ორიგინალების მოსამზადებლად იყენებენ სახაზავ და საჭრეთ (საგრავირო) ხელსაწყოებს. *ი. ქართველიშვილი.*

კარტოზია არნოლდ თეიმურაზის ძე [28. III (10. IV). 1909, ზუგდიდი, — 11. VI. 1979, მოსკოვი], ქართველი საბჭ. სპეციალისტი ქვანახშირის მრეწველობის დარგში. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). სკკპ წევრი 1944-იდან. დაამთავრა მოსკ. საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტი (1934). იყო მოსკ. მეტროპოლიტენის ერთ-ერთი რადიუსის მშენებლობის უფროსი (1935—37). დიდი სამამულო ომის წლებში ასრულებდა მთავრობის საგანგებო დავალებას სსრკ აღმ. რ-ნებში ქვანახშირის საწარმოთა მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, 1943-იდან იყო სსრკ თავდაცვის სახელმწ. კომიტეტის რწმუნებული და ხელმძღვანელობდა დონბასის შახტების აღდგენით სამუშაოებს. 1953—60 „საქნახშირის" კომბინატის უფროსი. 1960-იდან მუშაობდა სსრკ სახელმწ. საგეგმო კომიტეტში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კარტოზია გივი ალექსანდრეს ძე (დ. 29. III. 1929, ქ. ბათუმი), ქართველი საბჭ. სპორტსმენი (კლასიკური ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1953). სკკპ წევრი 1961-იდან. 1954 დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინ-ტი. მსოფლიოს სამგზის (1953, ნეაპოლი; 1955, კარლსრუე; 1958, ბუდაპეშტი), XVI ოლიმპიური თამაშების (1956, მელბურნი), სტუდენტთა IX (1951, ბერლინი) და X (1953, ბუქარესტი) მსოფლიო თამაშების, სსრკ ოთხგზის (1952, 1953, 1954, 1955) ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1956, სტამბოლი). გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, ფიზ. ძალით, სწრაფი, შემტევი სტილით. პირველი მსოფლიოს ჩემპიონი საქართველოს სპორტსმენთა შორის. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

ლიტ.: ხუჭუა ა., გივი კარტოზია, კრ.: ოლიმპიურ სარბიელზე, თბ., 1959.

ნ. გუგუშვილი.

კარტოფილასალები კომბაინი, მანქანა, რ-ითაც იღებენ კარტოფილს, მის ბოლქვებს აცლიან ღეროფოჩსა და მიწას. შემდეგ კი ბოლქვებს ყრიან ბუნკერში ან ტრანსპორტში. კ. კ-ის გამოყენება შეიძლება აგრეთვე კარტოფილსათხრელით ამოღებული კარტოფილის შესაგროვებლად და მინარევებისაგან გასაწმენდად. სსრკ-ში უშვებენ ორმწკრივიან მისაბმელ კ. კ-კკუ-2 „დრუჟბის" ორ მოდიფიკაციას (ნახ.) — ელევატორიანსა და ცხაურიანს. კ. კ-ს ააგრეგატებენ ტრაქტორ „ბელარუსზე" ან დტ-75-ზე. მისი პირმოდების განი ია 1,2—1,4 *მ*; მწარმოებლურობა—0,5 *ჰა/სთ*.

კარტოფილი (გერმ. Kartoffel), მრავალწლოვანი გორგლიანი სახეობები Solanum-ის გვარის (Tuberarium-ის სექციის) ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. 200-მდე ველური და კულტ. სახეობაა. კულტურაში დანერგილია უმთავრესად 2 მონათესავე სახეობა: ანდიური კ. (S. andigenum) და ჩილური კ. (S. tuberosum). ფართოდ გავრცელებული ზომიერპავიან ქვეყნებში. კ-ის ბუჩქის სიმაღლე 50—80 *სმ* აღწევს. შედგება 3—6 ღეროსაგან. გორგლი ღერო

მიწისქვეშა სახეცვლილებაა. მის ზედაპირზე ჩაღრმავებებში 3—4-კვირტიანი თვლები ზის. გორგლის ფორმა შეიძლება იყოს მომრგვალო, წაგრძელებული, ოვალური და სხვ.; გარეგანი შეფერილობა და რბილობის ფერი — თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, წითელი და ლურჯი. კ-ის ფესვი ფუნჯაა, სუსტად განვითარებული. ფოთოლი კენტფრთისებრგანკვეთილია, აქვს ნაკვთები და ნაკვთულები, ფერად მომწვანო-მოყვითალო ან მუქი მწვანეა. ყვავილი ხუთწევრიანია, თეთრი, მოწითალო-იისფერი ან მოლურჯო-იისფერი. ნაყოფი სფეროსებრი ან ოვალური კენკრაა, აქვს ძალიან წვრილი თესლები (1000 ცალი 0,5—0,6 გ იწონის).

კ. მრავლდება ვეგეტატიურად — გორგლით (სელექციის მიზნით — თესლით), რ-იც საშუალოდ შეიცავს 76,3% წყალს და 23,7% მშრალ ნივთიერებას, მ. შ. 17,5% სახამებელს, 0,5% შაქარს, 1—2% ცილას, 1%-მდე მინერ. მარილებს, აგრეთვე C, B_1, B_2, B_6, PP და სხვ. ვიტამინებს.

კ. კულტურაში შემოიტანეს სამხრ. ამერიკელმა ინდიელებმა ჯერ კიდევ 14 ათ. წლის წინათ. ევროპაში (ესპანეთში) გადმოიტანეს დაახლ. 1565, შემდეგ გავრცელდა მრავალ ქეყანაში, რუსეთში კ-ის გავრცელებას უკავშირებენ პეტრე I-ს, რ-საც XVII ს. ბოლოს კ-ით სავსე ტომარა ჰოლანდიიდან სამშობლოში გამოუგზავნია. 1970 მსოფლიოში კ. დათესილი იყო დაახლ. 22,3 მლნ. ჰა-ზე. 1971 სსრკ-ში კ-ს ეკავა 7,89 მლნ. ჰა, საერთო მოსავალი 92,6 მლნ. ტ შეადგენდა, საშ. მოსავალი 117 ც/ჰა. 1972 სსრკ-ში კ-ის დარაიონებული ჯიშები იყო: ლორხი, ბერლიხინგენი, ოგონიოკი, ბელორუსული საადრეო, ეპიკური, კორენევის, ვოლტმანი და სხვ.

საქართველოში კ-ის ნათესები პირველად 1820-იან წლებში გაჩნდა თბილ. ახლომახლო. 1913 კ-ის ნათესებმა უკვე 6800 ჰა-ს მიაღწია. 1975 კ-ის სათესი ფართობი 28 ათ. ჰა-ს აღემატებოდა. საქართველოში კ-ს თესავენ უმთავრესად ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრი წყაროს, ხულოს, შუახევის რ-ნებში, მოჰყავთ მთაშიც (ბოგდანოვკის რ-ნი, სვანეთი, რაჭა და სხვ.), სადაც ნათესები ზ. დ. 2200—2300 მ-მდე აღწევს. 70-იან წლებში ფართოდ გავრცელდა საადრეო კ-ის მოყვანა უმთავრესად ბოლნისის რ-ნში. რესპუბლიკაში კ-ის საშ. მოსავლიანობა 120 ც/ჰა შეადგენს. ახალქალაქის, ახალციხისა და წალკის რ-ნებში კ-ის მოსავალი უფრო მეტია — 174—178 ც/ჰა, ხოლო მოწინავე კოლ-ბები და საბჭ. მეურნეობები 280 ც/ჰა იღებენ. საქართვ. ბარის ზონაში კ-ს თესავენ ზაფხულშიც, თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ და მეორე მოსავალს იღებენ. ამ ზონაში (ზ. დ. 500 მ-მდე) საადრეო მოსავლის მისაღებად კ. შეიძლება დაითესოს შემოდგომაზეც — ნოემბერში. საქართველოში კ-ის ფართოდ გავრცელებული ჯიშებია: მაჟესტიკი, თრიალეთური სახალხო, ლორხი, ეპიკური და სხვ.

ლიტ.: ბ ა დ რ ი შ ვ ი ლ ი გ., კარტოფილის კულტურა საქართველოში, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, მემცენარეობა, თბ., 1974; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ა., მემცენარეობა, თბ., 1975; Б у к а с о в С. М., К а м е р а з А. Я., Основы селекции картофеля, М.—Л., 1959; Картофель, под ред. Н. С. Бацанова, М., 1970.

გ. ბადრიშვილი.

კარტოფილსარგავი, მანქანა, რ-იც ერთდროულად ასრულებს ორ პროცესს: რგავს კარტოფილის ბოლქვებს და ნიადაგში შეაქვს მინერ. სასუქი. შეუძლია მწკრივებად დარგოს 30—40, 50—60, 60—120 გ მასის ბოლქვები (როგორც მთელი, ისე დაჭრილი); მწკრივთაშორისი 60 და 70 სმ, ბაზოს წარმოქმნით და წარმოუქმნელად. სსრკ-ში უშვებენ 2-მწკრივიან (სრნ-2) და 4-მწკრივიან (სნ-4ბ, სნ-4ბ-1) კ-ებს, შექმნილია 6-მწკრივიანიც (სკმ-6) და სარგავი კსნ-90 (90 სმ-იანი მწკრივთაშორისებისათვის). კ. სნ-4ბ-ის (ნახ.)



კარტოფილსარგავი სნ—4 ბ: 1—ძელი; 2—ჩარჩო; 3—ბუნკერი; 4—გამოსარგავი აპარატი; 5—ჩამთესი; 6—დისკოიანი ჩამთესები; 7—მინერალური სასუქების გამომბნევი აპარატი.

მთავარი მუშა ორგანოებია: ბუნკერები, კოვზ-დისკური გამოსარგავი აპარატი, დისკოიანი ჩამთესები, მინერ. სასუქის გამომბნევი აპარატები. კ-ის მწარმოებლურობაა (ჰა/სთ): 1,08—1,36 (სნ-4ბ); 1,08 — 1,77 (სნ-4ბ-1); 1,51—2,05 (სკმ-6); 0,54—0,88 (სრნ-2).

კარტოფილსახარისხებელი, მანქანა, რ-იც კარტოფილის ბოლქვებს ახარისხებს 3 ფრაქციად, აცლის მას ნიადაგს, კოშტებსა და ქვებს, ამასთან, გადაარჩევს სადედე და დაზიანებულ ბოლქვებს. სსრკ-ში უშვებენ კ-ს რკმ-10 (ნახ.), რ-საც აქვს გორგოლაჭებიანი სახარისხებელი ზედაპირი. გლუვი გორგოლაჭები კარტოფილის საერთო მასიდან გამოყოფენ ნიადაგს და მცენარეულ ნარჩენებს, ფიგურული გორგოლაჭები კი, რ-ებიც წყვილ-წყვილად არიან განლაგებულნი და ფიგურულ ნახვრეტებს წარმოქმნიან, ბოლქვებს ყოფენ წვრილ (20—40 გ), საშ. (40—80 გ) და მსხვილ (80 გ-ზე მეტი) ფრაქციებად. 20 გ-ზე ნაკლები წონის ბოლქვებს გორგოლაჭები მინარევებთან ერთად გადაყრიან. კ-ის მუშა ორგანოებს ამუშავებს შიგაწვის ძრავა, ელექტროძრავა ან ტრაქტორის სიმძლავრის წასართმევი ლილვი. კ-ის მწარმოებლურობაა 10 ტ/სთ.





კარტოფილსახარისხებლის სქემა: 1—მიმღები ბუნკერი; 2—ჩამტვირთავი ტრანსპორტიორი; 3—გლუვი გორგოლაჭები; 4—წვრილი ბოლქვების გამოსარჩევი ფიგურული გორგოლაჭები; 5—საშუალო ზომის ბოლქვების გამოსარჩევი ფიგურული გორგოლაჭები; 6—მსხვილი ბოლქვების გადმოსატვირთი ტრანსპორტიორი; 7—საშუალო ზომის ბოლქვების გადმოსატვირთი ტრანსპორტიორი; 8—წვრილი ბოლქვების გადმოსატვირთი ტრანსპორტიორი.

კარტუში (ფრანგ. cartouche < იტალ. cartoccio, სიტყვასიტყვით — გრაგნილი, ხვეული, ტომსიკა, პარკი), ფარის ან სანახევროდ გახსნილი გრაგნილის მსგავსი მორთულობა, რ-ზეც გამოსახულია გერბი, ემბლემა, წარწერა და სხვ. კ-ით რთავდნენ სასახლეთა მთავარ შესასვლელებს. კ-ს გამოსახავდნენ ძვ. დოკუმენტებზე, გეოგრ. რუკებზე, საფლავის ქვებზე და სხვ. გავრცელებული იყო XVI—XVIII სს-ში.

კარუ (ინგლ. Karroo), სამხრ. აფრიკაში მდ. ორანჟის სამხრ-ით მდებარე ნახევარუდაბნო მთათაშორისი ქვაბულებისა და პლატოების საერთო სახელწოდება. ზ ე დ ა კ. მდ. ორანჟსა (ჩრდ.) და დიდ ბექს (სამხრ.) შორის მდებარე 1000—1300 მ სიმაღლის პლატოა. აგებულია ზედაპალეოზოური და მეზოზოური ქვიშაქვებითა და ფიქლებით. ნალექები 250—400 მმ წელიწადში. შემორჩენილია მეჩხერი ბუჩქნარი და ცალკეული ხეები. დ ი დ ი კ. ეროზიული ქვაბულია დიდ ბექსა და კაპის მთებს შორის. გადაჭიმულია დას-იდან აღმ-კენ 400 კმ-ზე. საშ. სიგანე 130 კმ, საშ. სიმაღლე 450—750 მ. აგებულია ქვიშაქვებით. ჰავა ნახევარუდაბნოს და უდაბნოსია. ნალექები 125—400 მმ წელიწადში. მცენარეულობა მეჩხერი. მ ც ი რ ე კ. გასწვრივი დადაბლებაა კაპის მთებში. გადაჭიმულია დას-იდან აღმ-კენ 320 კმ-ზე, სიგანე დაახლ. 64 კმ. ნალექები 250 მმ წელიწადში. ხარობს ბუჩქნარი და მარცვლოვნები.

კარუარუ (Caruarú), ქალაქი ჩრდ.-აღმ. ბრაზილიაში, პერნამბუკუს შტატში, რესიფი—სალგეირუს რკინიგზის ხაზზე. 143 ათ. მცხ. (1975). შტატის მნიშვნელოვანი საავტო-განმანაწილებელი ცენტრი. კვების, საფეიქრო, ტყავის მრეწვ. საწარმოები.

კარუზო (Caruso) ენრიკო (24. II. 1873, ნეაპოლი, — 2. VIII. 1921, იქვე), იტალიელი მომღერალი (ტენორი). ბავშვობიდან მღეროდა საეკლ. გუნდში. 1891 სწავლობდა სიმღერის სკოლაში გ. ვერჯინესთან. მისი დებიუტი შედგა 1894 ნეაპოლში, თეატრ „ნუოვოში". 1895—98 გამოდიოდა იტალ. მრავალ ქალაქში, 1900—01 მღეროდა მილანის „ლა სკალაში". 1903—20 იყო „მეტროპოლიტენ-ოპერის" (ნიუიორკი) სოლისტი. 1898-იდან ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა (რუსეთში იყო 1898, 1900). კ. მსოფლიოს უდიდესი მომღერალი იყო. მას ჰქონდა ფართო დიაპაზონის, უნიკალურად ლამაზი ტემბრისა და ძლიერი ჟღერადობის ხმა. მკაფიო დრამ. ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა შეესრულებინა სხვადასხვა ხასიათის (ლირიკულიდან ტრაგიკულამდე) პარტიები: ჰერცოგი, მანრიკო, რადამესი (ვერდის „რიგოლეტო", „ტრუბადური", „აიდა"), ნემორინო (დონიცეტის „სიყვარულის ნექტარი"), ფაუსტი (ბოიტოს „მეფისტოფელი"), კანიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები"), ტურიდუ (მასკანის „სოფლის პატიოსნება"), რუდოლფი, კავარადოსი, დე გრიე (პუჩინის „ბოჰემა", „ტოსკა", „მანონ ლესკო"), ხოზე (ბიზეს „კარმენი") და სხვ. განსაკუთრებული შთაგონებით მღეროდა ნეაპოლურ სიმღერებს.

ლიტ.: Л ь в о в М., Э. Карузо, «Советская музыка», 1955, № 1; Т о р т о р е л л и В., Э. Карузо, [пер. с итал.], М., 1965.

კარტუში ს. სტროგანოვის სასახლის შესასვლელის თაღზე. პეტერბურგი. (1752—54. არქიტექტორი ბ. ბ. რასტრელი).

ე. კარუზო.

ე. კ ა რ უ ზ ო კანიოს როლში (რ. ლეონკავალოს „ჯამბაზები").

კარუსელური ღუმელი, სამრეწველო ღუმელი, რ-შიც გასახურებელ ნაკეთობებს მბრუნავ დისკურ ქვედზე ათავსებენ. კ. ღ-ში ნაკეთობებს ფანჯრიდან ტვირთავენ თითო-თითოდ და ქვედის შემობრუნების (სრული ბრუნი) შემდეგ ამოტვირთავენ (იმავე ან მეზობელი ფანჯრიდან). ქვედს ისეთი სიჩქარით აბრუნებენ, რომ ნამზადი ღუმლიდან სასურველ ტემპ-რამდე გახურებული გამოვიდეს. კ. ღ-ში ახურებენ მცირე ზომის ლითონის ნამზადებს ჭედვის წინ. კ. ღ-ის გარე დიამეტრი 5 მ-მდეა, მწარმოებლურობა კი — 5 ტ/სთ-მდე. კ. ღ-ს ათბობენ აირის ან თხევადი სათბობით ღუმლის კედლებზე დაყენებული სანთურების ან ფრქვევანების მეშვეობით.

ე. ნადირაძე.

კარუსელური ჩარხი, სახარატო ჯგუფის ლითონსაჭრელი ჩარხი; იყენებენ დიდი მასის მქონე ისეთი დეტალების დასამუშავებლად, რ-თა სიგრძის (*l*) ფარდობა დიამეტრთან (*D*) მცირეა. კ. ჩ-ს აქვს ვერტ. შპინდელი, რ-ზეც დამაგრებულია მრგვალი მაგიდა, ე. წ. პლანსაყელური, რ-ის ზრიულ მიმმართველზე დამაგრებული ნამზადი ასრულებს მთავარ ბრუნვითს მოძრაობას, ხოლო სუპორტზე დამაგრებული მჭრელი იარაღი — მიწოდების მოძრაობას. მაღალია კ. ჩ-ის დამუშავების სიზუსტე და სიხისტე. კ. ჩ-ს ერთდგარიანს ამზადებენ, თუ მისი პლანსაყელურის დიამეტრი 1500 მმ-მდეა. როცა პლანსაყელურის დიამეტრი უფრო დიდია, კ. ჩ. ორდგარიანია. ერთდგარიან კ. ჩ-ს აქვს ერთი გვერდითი და ერთი ვერტ. სუპორტი, ხოლო ორდგარიანს — ერთი (ან ორი) გვერ-



კარუსელური ღუმლის სქემა: 1—დისკური მბრუნავი ქვედი; 2—გასახურებელი ნაკეთობა; 3—ჩასატვირთი და ამოსატვირთი ფანჯარა; 4—საყრდენი გორგოლაჭი; 5—ქვედის საბრუნებელი მექანიზმი; 6—სანთურა; 7—წვის პროდუქტების ასარინებელი მილსადენი.



ერთდგარიანი კარუსელური ჩარხი.

პ. კასალსი.

ნ. კასატკინი.

ნ. კასატკინი. „მეშახტე ქალი". 1894. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

დითი და ორი ვერტ. სუპორტი. ვერტ. სუპორტი გადაადგილდება განივას მიმმართველზე, გვერდითი კი — დგარის ვერტ. მიმმართველზე. ვერტ. სუპორტზე ხშირად აყენებენ რევოლვერულ თავს. კ. ჩ-ზე ჩარხავენ და შიგჩარხავენ ცილინდრულ, კონუსურ და მოყვანილ ზედაპირებს, ჭრიან ტორსულ ზედაპირებს, რევოლვერული თავის საშუალებით ბურღავენ დეტალებს, ატარებენ აგრეთვე ზენკერვის, გაფართოების ოპერაციებს; სპეც. სამარჯვის გამოყენებით ჩარხზე შესაძლებელია კუთხვილის მოჭრა, ამოტეხა, ხეხვა, ერთდროულად რამდენიმე იარაღით დამუშავება. კ. ჩ-ზე ამუშავებენ 500 *ტ* და მეტი მასის 30 *მ*-მდე დიამეტრის დეტალებს (ძლიერი ჰიდროტურბინების, ჰიდროგენერატორების, ატომური რეაქტორების, სინქროფაზოტრონების და სხვათა ნაწილებს). არის აგრეთვე საფრეზი, სახეხი კ. ჩ-ები. *კ. ნუცუბიძე.*

კარუშეთი, ისტორიული სოფელი თრიალეთში (ახლანდ. სოფ. ჯინისი, წალკის რ-ნი). წყაროებში იხსენიება X ს-იდან. XIX ს-ში აქ თურქეთიდან დევნილი ბერძნ. მოსახლეობა დასახლდა, ახ. სახელიც — *ჯინისი* — მათ უწოდეს სოფელს.

ლიტ.: საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959.

კარჩაკეტილი მეურნეობა, იხ. *ნატურალური მეურნეობა.*

კარცინოლოგია (ბერძნ. karkinos — კიბო და... *ლოგია*), ზოოლოგიის დარგი, რ-იც შეისწავლის *კიბოსნაირებს.*

კარწაულთა, სოფელი დუშეთის რ-ნში (ბარისახოს სოფსაბჭო), მდ. ლიქოკის ხეობაში (ხევსურეთის არაგვის მარცხ. შენაკადი). ზ. დ. 1755 *მ*, დუშეთიდან 70 *კმ*. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ბარისახოში (3 *კმ*).

კარწახი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში, ჯავახეთის ზეგნის სამხრ. ნაწილში, ხოზაფინის ტბის მახლობლად. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ფილიპოვკა). ზ. დ. 1860 *მ*, ახალქალაქიდან 30 *კმ*. მეხორცეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

კარჭაპი, 1. ორაფრიანი საზღვაო გემი (ძირითადად სპორტული), აქვს ერთი ანძა. 2. XVIII—XIX სს-ში გავრცელებული სამანძიანი (სწორაფრებიანი) გემი (კორვეტზე პატარა, მაგრამ ბრიგზე დიდი); იყენებდნენ სადაზვერვო სამსახურისათვის. რუსეთში კ. გამოიყენეს დედამიწის ირგვლივ მოგზაურობისას (მაგ., მ. ვასილიევმა, ო. კოცებუმ, თ. ლიტკემ, გ. შიშმარიოვმა) და სამეცნ. ექსპედიციებისათვის (ფ. ბელინსგაუზენმა, ვ. გოლოვნინმა, მ. ლაზარევმა). 3. ნელი სვლის საბადრაგო გემი საზღვაო ქარავნებისა და ტრანსპორტის დასაცავად.

კასაბლანკა (არაბ. ე ლ-დ ა რ-ე ლ-ბ ა ი-დ ა), ქალაქი და ნავსადგური მაროკოს დას. სანაპიროზე, საქალაქო პრეფექტურა. 1965 ათ. მცხ. (1976). კ. აფრ. ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და ნავსადგური (ტვირთბრუნვა დაახლ. 18 მლნ. *ტ* წელიწადში). საავტ. გზების დიდი კვანძი, რკინიგზის სადგური. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. კ. მაროკოს მთავარი ეკონ. ცენტრია, სადაც თავმოყრილია ქვეყნის დამუშავებით მრეწველობაში დასაქმებულთა 55%. განვითარებულია ლითონდასამუშ. (მ. შ. ავტოსაამწყობო), კვების (თევზსაკონსერვო, საფქვავი, შაქრის), საფეიქრო, ქიმ., ცემენტის, პოლიგრ. და სხვა მრეწველობა. კ-ში არის ერთგნ. და უცხ. საფინანსო და სავაჭრო დაწესებულებანი. ყოველწლიურად იმართება საერთაშ. ბაზრობა.

კ-ის დაარსების ზუსტი თარიღი არ არის დადგენილი. ზოგიერთი ცნობით, VII ს-იდან ახლანდ. კ-ის ადგილზე არსებობდა ქ. ანფა. 1468 ანფა პორტუგალიელებმა დაიპყრეს და დაანგრიეს. XVIII ს. II ნახევარში მაროკოს სულთნის სიდი მუჰამად იბნ აბდ ალ-ლაჰის (განაგებდა 1757—90) დროს ქალაქი ხელახლა აშენდა და ეწოდა ელ-დარ-ელ-ბაიდა (არაბ. სიტყვასიტყვით — თეთრი სახლი, ესპ. — Casablanca). 1907 კ. დაიკავეს ფრანგებმა და მაროკოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1956 წ. 2 მარტი) შედიოდა მაროკოს პროტექტორატის ფრანგულ ზონაში.

ძვ. ქალაქის — „მედინის" (XVI ს.) ირგვლივ ნახევარწრიულად განაშენიანებულია თანამედროვე ქალაქი. კ-ის ცენტრ. ნაწილში მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლები და ადმ. შენობებია („ლიბერტეს" შენობა, სიმაღლე 78 *მ*, 1950, არქიტ. ლ. მორანდი). კ-შია დიდებული 5-ნავიანი, ვიტრაჟებიანი ეკლესია საკრე-კერი (რკინაბეტონი, 1930—52, არქიტ. პ. ტურნონი). ქალაქის განაპირა რ-ნებში ერთსართულიანი ტრად. სახლები, ბაზრები და მეჩეთებია.

კასაბლანკის კონფერენცია 1943, ინგლის-ამერიკის კონფერენცია კასაბლანკაში (მაროკო) 1943 წ. 14—24 იანვარს. მონაწილეობდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ფ. დ. რუზველტი, დიდი ბრიტ. პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი, აგრეთვე ორივე ქვეყნის უმაღლესი სამხ. ხელმძღვანელები. კონფერენციაზე მიაღწიეს შეთანხმებას ჩრდ. აფრიკის კამპანიის დამთავრების შემდეგ მოკავშირეთა ჯარების სიცილიაში გადასხმის შესახებ. შეთანხმება არ ითვალისწინებდა ჩრდ. საფრანგეთში II ფრონტის გახსნას. დამტკიცდა ჩრდ. ბირმაში მოქმედების გეგმა (იაპ. ჯარების განდევნა რანგუნიდან). განიხილეს აგრეთვე ჩრდ. აფრიკაში საფრ. ადმინისტრაციის, ომში თურქ. პოზიციისა და ომის შემდგომი კოლონიების ბედის საკითხები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუზველტის განცხადებას პრესკონფერენციაზე კასაბლანკაში 1943 წ. 24 იანვ. იმის შესახებ, რომ მოკავშირეები ომს გააგრძელებდნენ საბოლოო გამარჯვებამდე.

კასაი (Kasai) (შესართავთან კ ვ ა), მდინარე ცენტრალურ აფრიკაში, ანგოლასა და ზაირის რესპუბლიკაში, მდ. კონგოს მარცხ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 2 ათ. *კმ*, აუზის ფართ. 880,2 ათ. *კმ*². სათავე აქვს ლუნდის პლატოზე. აჩენს ჩანჩქერებსა და ჭორომებს. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის სექტ.-აპრილში. წყლის ხარჯი ქვემოთში 5-იდან 20 ათ. *მ*³/*წმ*-მდეა. სანაოსნოა შესართავიდან 790 *კმ*-ზე. თევზჭერა. კ-ს აუზში — ალმასის მოპოვება.

კასალსი, კ ა ზ ა ლ ს ი (Casals) პაბლო (29. XII. 1876, ვენდრელი, ბარსელონის მახლობლად, — 22. X. 1973, სან-ხუანი, პუერტო-რიკო), ესპანელი ვიოლონჩელისტი, დირიჟორი, კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე. მისი, როგორც ვირტუოზი შემსრულებლის, დებიუტი შედგა 1899 პარიზში. 1901-იდან ტრიუმფით გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (1905—13 რუსეთში). უკრავდა ტრიოში ა. კორტოსა და ჟ. ტიბოსთან ერთად. კ-მა ხანგრძლივი საშემსრულებლო მოღვაწეობით ეპოქა შექმნა სავიოლონჩელო ხელოვნებაში. 1920 ბარსელონაში ჩამოაყალიბა სიმფ. ორკესტრი, 1924 — მუშათა მუს. საზ-ბა, რ-საც ხელმძღვანელობდა 1936-მდე. 1939-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში. 1950-იდან ეწყობოდა კ-ის სახ. ფესტივალები. 1957-იდან მრავალ ქვეყანაში იმართება კ-ის სახ. ვიოლონჩელისტთა საერთაშ. კონკურსები (პირველი მოეწყო პარიზში).

ლიტ.: Гинзбург Л., Пабло Казальс, 2 изд., М., 1966.

კასანდრა (Cassándra), ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ტროის მეფის პრიამეს მშვენიერი ასული. ტროის დანგრევის შემდეგ, ნადავლის განაწილებისას, წილად ხვდა აგამემნონს. მიკენეში აგამემნონთან ერთად მოკლეს კლიტემნესტრამ და ეგისთემ. კ-ს სიმშვენიერით მოხიბლულმა აპოლონმა მისნობის ნიჭით დააჯილდოვა, მაგრამ კ-მ უარყო აპოლონის სიყვარული; განრისხებულმა ღმერთმა იმით დასაჯა, რომ არავის სჯერდოდა კ-ს წინასწარმეტყველებისა. ლაკონიაში, ქ. ლევექტრაში, გავრცელებული იყო კ-ს კულტი, რ-იც მოგვიანებით ადგილ. გმირი ქალის ალექსანდრას კულტს შეერწყა. კ-ს მითი გამოიყენა ესქილემ ტრილოგია „ორესტეაში". კ-ს წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა გადატანითი მნიშვნელობით გულისხმობს ავის მომასწავებელ წინასწარმეტყველებას, რ-ისაც არავის სჯერა.

კასანდრა (Cassandra), მცენარეთა გვარი მანანასებრთა ოჯახისა; იგივეა, რაც *ქამედაფნე.*

კასატკინი ნიკოლოზ ალექსის ძე [13 (25). XII. 1859, მოსკოვი, — 17. XII. 1930, იქვე], რუსი ფერმწერი. რსფსრ სახალხო მხატვარი (1923). სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1873—83), იქვე მუშაობდა პედაგოგად (1894—1917). პეტერბ. სამხატვრო აკად. ნ. წ. (1903). *„პერედვიჟნიკების"* ამხანაგობის წევრი 1891-იდან. შემოქმედების დასაწყისში ქმნიდა გვიანდ. „პერედვიჟნიკულ" ჟანრულ სურათებს („მოქიშპეები", 1890, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; „ცილისწამება", 1893, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). 1890-იან წლებში კ-მა ერთ-ერთმა პირველმა ასახა პროლეტარიატის ცხოვრება („მეშახტე ქალი", 1894; „მაღაროელები. ცელა", 1895, — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა). კ-მა შექმნა 1905—07 რევოლუციისადმი მიძღვნილი სურათები („მუშა-მებრძოლი", 1905, სსრკ რევ. მუზეუმი, მოსკოვი). საბჭ. პერიოდში კ. ახალი, საბჭ. ადამიანის სახის შექმნაზე მუშაობდა („სწავლისათვის. პიონერი გოგონა მეცადინეობის დროს", 1926, სსრკ რევ. მუზეუმი, მოსკოვი და სხვ.).

ლიტ.: Ситник К. А., Н. А. Касаткин, М., 1955.

კასაცია (გვიანდ. ლათ. cassatio — გაუქმება, განადგურება<ლათ. quasso — ვამსხვრევე, ვანადგურებ), კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების თუ განაჩენის გასაჩივრება ან გაპროტესტება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში; კ. ეწოდება აგრეთვე საჩივრისა და პროტესტის საფუძველზე საქმის განხილვას გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით. საკასაციო საჩივრის ან პროტესტის შეტანა შეიძლება ყველა სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებაზე, გარდა სსრკ-ის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების განაჩენისა და გადაწყვეტილებისა. სასამართლოს განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვს მსჯავრდებულს, მის დამცველს და *კანონიერ წარმომადგენელს,* აგრეთვე *დაზარალებულს* და მის წარმომადგენელს. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ განაჩენის მხოლოდ ის ნაწილი, რ-იც სამოქალაქო სარჩელს ეხება. სასამართლოს მიერ გამართლებულ პირს განაჩენის გასაჩივრება შეუძლია მაშინ, როცა იგი არ ეთანხმება გამართლების მოტივებს. სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება შეუძლიათ მოსარჩელეს, მოპასუხეს და იმ პირებს, რ-ებიც საქმეში მონაწილეობენ. პროკურორი მოვალეა გააპროტესტოს ყველა უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი და გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენზე საჩივრისა და პროტესტის შეტანა შეიძლება განაჩენის გამოცხადებიდან 5 დღეში, ხოლო გადაწყვეტილებაზე — 15 დღეში. საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს სასამართლო ამოწმებს განაჩენის თუ გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას საქმეში არსებული და დამატებით წარმოდგენილი მასალების მიხედვით. სასამართლო არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივრის ან პროტესტის

მოსაზრებებით და ყველა მსჯავრდებულის საქმეს ამოწმებს სრული მოცულობით.

საკასაციო ინსტანციას შეუძლია უცვლელად დატოვოს განაჩენი ან გადაწყვეტილება; გააუქმოს იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ) და საქმე გადასცეს ხელახალი გამოძიებისათვის ან სასამართლოს — ახ. განხილვისათვის; გააუქმოს განაჩენი ან გადაწყვეტილება და შეწყვიტოს საქმე წარმოებით; შეიტანოს ცვლილება განაჩენში. ე. ი. შეამციროს დანიშნული სასჯელი ან დააკვალიფიციროს ქმედობა სხვა მუხლით, რ-იც უფრო მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს; შეცვალოს გადაწყვეტილება ან გამოიტანოს სამოქალაქო საქმეზე ახ. გადაწყვეტილება, როცა საქმის გარემოებანი სრულად და სწორად არის დადგენილი, მაგრამ დაშვებულია შეცდომა სამართ. ნორმის გამოყენების დროს და სხვ. საკასაციო სასამართლოს მითითება სავალდებულოა დამატებითი გამოკვლევისა და სასამართლოსათვის საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, მაგრამ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს ან დამტკიცებულად ჩათვალოს განაჩენით თუ გადაწყვეტილებით დაუდგენელი ან უარყოფილი ფაქტები, წინასწარ გადაწყვიტოს საკითხი ბრალდების ან სარჩელის დამტკიცებისა თუ დაუმტკიცებლობის შესახებ, მიუთითოს სასჯელის ზომა და სხვ. (იხ. საქ. სსრ სისხლის სამართ. საპროცესო კოდ., კარი IV; საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდ., კარი III). *მ. ლეკვეიშვილი.*

ᲙᲐᲡᲔᲚᲘ (Cassel) გუსტავ (20. X. 1866—15. I. 1945), შვედი ეკონომისტი, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მათემატიკური სკოლის მიმდევარი; სამეცნ. ზარისხი მიიღო უფსალის უნ-ტში (1895). სტოკჰოლმის უნ-ტის პოლიტეკონ. და ფინანსების პროფესორი (1901—33). ᲙᲐ-ის შეხედულებები ეკლექტიკურია. ღირებულების შრომითი თეორიის საწინააღმდეგოდ წამოაყენა ფასის ვულგარული კონცეფცია, რ-იც ეყრდნობა მატერ. დოვლათის იშვიათობის პრინციპს, აქედან გამომდინარე დაამუშავა ფულის მიმოქცევის, ხელფასისა და ეკონ. კრიზისების საკითხები.

ᲙᲐᲡᲔᲚᲘ (Kassel). ქალაქი გფრ-ში, ჰესენის მხარეში, მდ. ფულდის ნაპირზე. 204 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. სამდ. ნავსადგური. მურა ნახშირის აუზის ცენტრი. ლოკომოტივთ-, ავტო- და ვაგონთმშენებლობა, ელექტროტექ. მანქანათმშ., ოპტ. იარაღების წარმოება, საფეიქრო მრეწველობა. სამრეწვ. აკადემია, უმაღლესი არქიტ. სკოლა, სამხატვრო გალერეა. არქიტ. ძეგლები.

ᲙᲐᲡᲔᲢᲘ (ფრანგ. cassette — კოლოფი), 1. მ ა გ ნ ი ტ ო ფ ო ნ უ რ ი Კ., ბრტყელი კოლოფისებრი მოწყობილობა (ნახ. 1), რ-შიც მაგნ. ლენტია. Კ-ს დგამენ *მაგნიტოფონში, ვიდეომაგნიტოფონში* (ვიდეოკასეტი), ლენტს ამოძრავებენ ლენტსაწელავი მექანიზმით. 2. ფ ო ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი Კ. შუქშეუღწევი მოწყობილობაა, რ-შიც კინო-, ფოტოფირს (ნახ. 2) ან ფოტოფირფიტას ათავსებენ. ფოტოაპარატის დამუხტვის დასაჩქარებლად იყენებენ სპეციფირიან Კ-ებს: „რაპიდს“ (ნახ. 3), „კოდაპაკს“ და სხვ.; კინოსაპროექციო აპარატებში ცალმაგ, ორმაგ და ერთნახევრიან (შეწყვილებულ) Კ-ებთან ერთად იყენებენ უწყვეტ Კ-ებსაც (ე. წ. კასეტური კინოსათვის).



კასეტი. ნახ. 1. სახურავადადგილი მაგნიტოფონის კასეტის საერთო ხედი.

ᲙᲐᲡᲘᲐ (Kassia), IX ს. ბიზანტიელი პოეტი ქალი; ავტორი მორალური სენტენციების შემცველი ეპიგრამებისა, რ-თა მთავარი თემაა ადამიანთა უგუნურება და უზნეობა. Კ. იყო აგრეთვე ჰიმნების როგორც პოეტური ტექსტის, ისე მუსიკის ავტორი.

ᲙᲐᲡᲘᲐ (Cassia), მრავალწლოვანი ბალახის, ბუჩქების ან ტანდაბალი ხეების გვარი ცეზალპინიასებრთა ოჯახისა. 500—600 სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და კუბტროპიკებში. სამკურნ. მნიშვნელობა აქვს ს ი ნ ა მ ა ქ ი ს ხ ე ს (C. acutifolia), რ-ის სამშობლოდ სუდანს მიიჩნევენ. სსრკ-ში მისი ერთწლიანი კულტურა შუა აზიასა და კაზახეთში გვხვდება. საქართველოში ხარობს სუბტროპ. მცენარეთა სარტყელში. ბუჩქის სიმაღლე 1,5 *მ* აღწევს. სამკურნალოდ იხმარება მისი ფოთოლი, რ-იც „ალექსანდრიული ფოთლის“ (*სინამაქის ფოთლის*) ან სენას სახელით არის ცნობილი, და პარკი (ალექსანდრიული პარკი); შეიცავს ანტრაგლიკოზიდებს, იყენებენ საფაღარათო საშუალებად, ისე როგორც C. angustifolia-ს და C. obovata-ს. ხ ი ა რ ი შ ა მ ბ ა რ ი ანუ ხ ე ჩ ე რ ჩ ხ ე ლ ა (C. fistula) საქართველოში ეგვიპტიდან და ინდოეთიდან შემოჰქონდათ და საფაღარათო საშუალებად ხმარობდნენ. მისი ქერქი შედიოდა პირში გამოსავლები კეთილსურნელოვანი ნარევის ს უ ნ ო ნ ი ს შემადგენლობაში. *ნ. წუწუნავა.*

ᲙᲐᲡᲘᲐᲜᲘ ვასილი ილიას ძე [20. XII. 1895 (1. I. 1896), სოფ. მიკულინცი, ახლანდ. ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, უკრ. სსრ,—26. VI. 1976, კიევი], საბჭ. გრაფიკოსი. სსრკ სახ. მხატვარი (1944), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1947). სოციალ. შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1946-იდან. სწავლობდა პრაღის სამხატვრო აკადემიაში (1920—26). 1923 მიიღო საბჭ. მოქალაქეობა. 1927 დასახლდა უკრ. სსრ-ში. Კ-ის გრავიურებს, ნახატებს, პლაკატებსა და წიგნის ილუსტრაციებს ახასიათებს ექსპრესიული შტრიხი და სახეების რომანტ. ამაღლებულობა („გაფიცვა“, გრავიურა ხეზე, 1926; სერია „დნეპრმშენი“, ლინოგრავიურა, 1932—34; სერია „ვ. ი. ლენინი და უკრაინა“, ოფორტი, 1947). შევრჩენილ სახ. უკრ. სსრ სახელმწ. პრემია (1964). უკრ. სსრ სახელმწ. პრემია (1971). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Василий Ильич Касиян, М., 1957; Василь Касіян. Каталог ювілейної виставки, К., 1966.

ᲙᲐᲡᲘᲐᲜᲘ (ტ ე რ - კ ა ს პ ა რ ი ა ნ ი) სარქის ივანეს (ჰოვანესის) ძე [16 (28). 1876. ქ. შუშა, — 1938], საბჭ. პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1905-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება ბაქოს რეალურ სასწავლებელში სწავლის დროს, რისთვისაც გარიცხეს სასწავლებლიდან. ხელმძღვანელობდა ბაქოს პირველ არალეგალურ ბოლშევიკურ სომხურ გაზ. „ბანეორი ძაინს“ („შუშის ხმა“), შემდეგ თბილისში თანამშრომლობდა გაზ. „კაიწსა“ („ნაპერწკალი“) და „ნორ ხოსქში“ („ახალი სიტყვა“). 1907—10 კვლავ ბაქოში რედაქტორობდა გაზ. „ორერს“ („დღეები“), ებრძოდა ლიკვიდატორებს, მონაწილეობდა მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში. 1910—14 მონაწილეობდა თბილ. ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში. 1914 იანვარში თბილისში გამოსცა ჟურნ. „მერ ხოსქი“ („ჩვენი სიტყვა“). აპრ-ში დააპატიმრეს და გადაასახლეს ასტრახანში, შემდეგ ვოლოგდაში. 1917 თბილისში დაბრუნდა, სადაც არალეგალურად ცხოვრობდა და მუშაობდა პარტიის სამხარეო კომიტეტში. 1918—19 იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. რევ. მოღვაწეობისათვის არაერთხელ დააპატიმრეს მენშევიკებმა და დაშნაკებმა. 1920 ნოემბერში მონაწილეობა მიიღო სომხეთში საბჭ. ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. 1924—27 მუშაობდა ამიერკავკ. კომუნისტური უნ-ტის რექტორად, შემდგომ წლებში ასფსრ ცაკის, სომხ. სსრ ცაკის, ასფსრ უმაღლესი სასამართლოს თავრეად. Კ-მა დიდი ამაგი დასდო მარქსიზმის კლასიკოსთა სომხ. ენაზე თარგმნას. სხვადასხვა დროს არჩეული იყო რკპ(ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტის, სომხ. კპ ცკ-ის, ასფსრ 3 მოწვევის ცაკის წევრად, კომინტერნის III კონგრესის დელეგატად. *რ. ბარკალაია.*

ᲙᲐᲡᲘᲓᲐ, აღმოსაკლური პოეზიის ჟანრი. ჩამოყალიბდა არაბ. ლიტ-რაში VI ს-ში. ტრად. Კ. შედგება ერთიანი რითმითა (მონორიმი) და მეტრით გაწყობილი 20-იდან 200-ამდე ბაითისაგან. ყოველი ბაითი ლოგიკურად დასრულებული ნაწყვეტია. თავისი ბუნებით Კ. სინკრეტულია. Კ. იწყება ლირ. ნაწილით — ნასიბით, რ-შიც პოეტი მიტოვებული სადგომის დანახვაზე მისტირის სატრფოსთან ერთად აქ გატარებულ დღეებს. მომდევნო ნაწილში (ვასფი) აღწერილია Ჰოეტის მოგზაურობა, ბუნება, მისი აქლემის ან ცხენის თვისებები და სხვ. მე-3 ნაწილში Ჰოეტი ხოტბას ასხამს თავის ტომს, ბელადს (მადჰი) ან საკუთარ ღირსებებს (ფახრი), შემდგომ ისტ. პერიოდში — მფარველ ფეოდალს. ეს ნაწილი ხშირად სატირულია, მიმართულია პოეტის ან მისი მფარველის მტრების წინააღმდეგ (ჰიჯა—დაცინვა). Კ-ის შემადგენელი ნაწილია ხამრიათიც — ღვინის თემა. დროთა განმავლობაში ზოგი ნაწილი და თემა დამოუკიდებელ ჟანრებად იქცა. Კ. ადრევე გავრცელდა ირანში, თურქეთსა და სხვ. აღმ. ქვეყნებში. არსებითი ცვლილება განიცადა ნასიბმა, რ-იც ეროვნ. შინაარსით დაიტვირთა (მაგ., რუდაქი, ხაკანი).

ლიტ.: Бертельс Е. Э., История персидско-таджикской литературы, Избр. труды, [т. 1], М., 1960; Brockelmann C., Geschichte der arabischen Literatur, 2. Aufl., Bd. 1—2, Leiden, 1943—49.

ᲙᲐᲡᲘᲕᲐ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ტიბის პრეფექტურაში. 179 ათ. მცხ. (1973). კვების (ლუდი, ხორცისა და რძის ნაწარმი), საფეიქრო (შალის ქსოვილები), მანქანათსაშ. მრეწველობა.

ᲙᲐᲡᲘᲙᲘ (ესპ. cacique, ნასესხებია ინდიელთა ტომის არავაკების ენიდან), ინდიელთა ბელადი მექსიკაში, ვესტინდოეთში, ცენტრ. ამერიკაში (ესპანელთა დაპყრობებამდე). Კ-ის თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა. Კ-ებისა და მათი შთამომავლებისაგან ჩამოყალიბდა არისტოკრატთა ფენა აცტეკებში, მაიასა და სხვ. ხალხებში. Კ-ების ნაწილი ესპ. კოლონიზატორების მხარეზე გადავიდა, მემამულე ფეოდალებად გადაიქცა და ესპ. სამსახურში ჩადგა. ლათ. ამერიკასა და ესპანეთში Კ-ებს უწოდებენ მემამულურ, ბურჟ. და სამხ. წრეებიდან გამოსულ გავლენიან პოლიტიკოსებს, რ-ებმაც ქვეყნის გარკვეულ რ-ნებში ძალაუფლება მიიტაცეს. მმართველობის სისტემას, რ-ის დროსაც ცენტრ. ხელისუფლება თავის ძალაუფლებას ადგილებზე Კ-ის საშუალებით ახორციელებს, კასიკიზმი ეწოდება.

ᲙᲐᲡᲘᲚᲘ ლევ აბრამის ძე [27. VI (10. VII). 1905, პოკროვსკაია, ახლანდ. ქ. ენგელსი,—21. VI. 1970, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. სსრკ პედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1965). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1925-იდან. წერდა უპირატესად ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. მას ეკუთვნის რომანები და მოთხრობები „კონდუიტი“ (1930), „შვაბრანია“ (1933), „ჩემი ძვირფასი ბიჭუნები“ (1944), „უმცროსი ვაჟიშვილის ქუჩა“ (1949, მ. პოლიანოვსკისთან ერთად; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), „თეთრი დედოფლის სვლა“ (1956, ქართ. თარგმ. 1960), „მზად იყავით, თქვენო უმაღლესობავ!“ (1964) და სხვ. დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით, *თხზ.:* Собр. соч., т. 1—5, М., 1965—66.



კასეტი. ნახ. 2. მცირეფორმატიანი ფოტოაპარატის კასეტები: ა—მუდმივეზერიტიანი სტანდარტული კასეტი (ჭერიტის ნაჯარებში შუქშეუღწევლობისათვის დაწებებულია ხავერდი), 1—კორპუსი; 2 — ფირის დასახვევი კოჭი; 3—სახურავი; ბ—ორცილინდრიანი (გასახსნელჭერიტიანი) კასეტი; 1—კოჭა; 2—შიგა ცილინდრული კორპუსი; 3—გარე ცილინდრული კორპუსი.





კასეტი. ნახ. 3. „რაპიდის“ ტიპის კასეტის საერთო ხედი (ა) და ჭრილი (ბ). 1—ცილინდრული კორპუსი; 2—კორპუსთან შედუღებული სახურავი; 3—ჭერიტე, რომლის ნაპირებზე შუქშეუღწევლობისათვის დაწებებულია ხავერდი; 4—ორი ბრტყელი ზამბარა; 5—ფოტოფირი; 6—პლასტმასის მილაკი.

3. კასიანი.

ლ. კასილი.



კასიტერიტი. კრისტალების ფორმები.

კასკადი გამარჯვების პარკში. თბილისი. 1970-იანი წლები. არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ნახუცრიშვილი, მხატვარი ზ. წერეთელი. (შადრევნების ავტორები ვ. აბრამიშვილი, ნ. ჯობაძე, 1967).

კასიმი აბდ ალ-ქარიმ (1914, ბაღდადი,— 9. II. 1963, იქვე), ერაყის სახელმწიფო მოღვაწე. მიიღო სამხ. განათლება. 1955-იდან ბრიგადის გენერალი. მეთაურობდა სამხ. გადატრიალებას, რ-მაც დასაბამი მისცა 1958 ერაყის რევოლუციას. 1958—63 იყო პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და მთავარსარდალი. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში კ-ის მთავრობამ განახორციელა რიგი პროგრ. ღონისძიებანი. 1959 დასასრულიდან კ-მა დაიწყო დემოკრ. ძალების დათრგუნვა. 1963 სახელმწ. გადატრიალების დროს დახვრიტეს.

კასიმოვი, ქალაქი რსფსრ რიაზანის ოლქში. ნავმისადგომი მდ. ოკაზე. რკინიგზის სადგ. კასიმოვიდან 5 *კმ,* რიაზანიდან 164 *კმ.* ბადესაქსოვი და ბეწვეულის ფ-კები, გემთშესაკეთებელი, სამაცივრო მოწყობილობის და სხვა ქ-ნები. ინდუსტრ. ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაარსა იური დოლგორუკიმ 1152.

კასინი (Cassini) ჟაკ (18. II. 1677, პარიზი, — 15. IV. 1756, ტიური, კლერმონის ახლოს), ფრანგი ასტრონომი და გეოდეზისტი. პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1694), პარიზის ობსერვ. დირექტორი (1712). ჯ. *კასინის* შვილი. იკვლევდა დედამიწის ფორმას, მონაწილეობდა პარიზის მერიდიანის გრადუსულ გაზომვაში (XVII ს. დასასრ. — XVIII ს. დასაწყ.). პირველმა გაზომა პარალელის რკალის ერთი გრადუსის სიგრძე (1734). კ-ს ეკუთვნის ესეები ბუნების ფილოსოფიაში.

კასინი (Cassini) ჯოვანი დომენიკო (ჟ ა ნ დ ო მ ი ნ ი კ) (8. VI. 1625, პერინალდო, ნიცის მახლობლად, — 14. IX. 1712, პარიზი), ასტრონომი, წარმოშობით იტალიელი. პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1669), პარიზის ობსერვ. დირექტორი (1669). აღმოაჩინა იუპიტერის (1665) და მარსის (1666) ბრუნვა, სატურნის 4 თანამგზავრი (1671—84), სატურნის რგოლის დაყოფა შიდა და გარე ნაწილებად („კასინის კვეთა") და ზოდიაქური ნათება. შეისწავლა მთვარის ოპტ. ლიბრაცია. პირველმა ჟ. რიშესთან ერთად მარსზე დაკვირვებით იმ დროისათვის საიმედოდ განსაზღვრა მზის პარალაქსი (9,5″ — 10,0″, თანამედროვე მნიშვნელობაა 8,8″).

კასინის ოვალი (ჯ. *კასინის* სახელიდან), მე-4 რიგის ბრტყელი ალგებრული *წირი.*

კასიოდორუსი (Cassiodorus; სრული სახელი Flavius Magnus Aurelius Cassiodorus Senator) (დაახლ. 487, სცილაციუმი, კალაბრია, — დაახლ. 578, ვივარიუმი), მწერალი, ოსტგუთების სახელმწიფოს მოღვაწე, *თეოდორიხთან* და მის მემკვიდრეებთან დაახლოებული პირი. მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ოსტგუთების რომაელებთან დაახლოებას. მოხუცებულობისას ბერად შედგა, თავის მამულში დააარსა მონასტერი ვივარიუმი, რ-იც ადრინდ. შუა საუკ. კულტურის კერად იქცა. ავტორია 12-ტომიანი „გუთების ისტორიისა" (შემონახულია *იორდანისთან* შემოკლებული სახით). მისი თხზულებები ეკლესიის ისტორიაზე, აგრეთვე წერილებისა და რესკრიპტების კრებული მნიშვნელოვანი წყაროა გუთების ისტ. შესასწავლად.

კასიოპეა (ლათ. Cassiopeia), ცის ჩრდ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი.* მისი 5 ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი, რ-თა ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდეებია* 3,4; 2,7; 2,4; 2,2 და 2,3, ქმნიან W ფიგურას. ამ თანავარსკვლავედში 1572 აენთო *ზეახალი ვარსკვლავი;* კ-შია რადიოგამოსხივების ყველაზე ძლიერი წყარო. ხილვადია სსრკ მთელი ტერიტორიიდან წლის ყოველ დროს. სახელწ. მომდინარეობს ძვ. ბერძნ. მითოლოგიიდან— *ანდრომედეს* დედის კასიოპეას სახელიდან.

კასიოპეიდები, *მეტეორული ნაკადი,* რ-ის *რადიანტი კასიოპეას* თანავარსკვლავედშია. შეიმჩნევა ყოველწლიურად, ივლის-აგვ-ში. ნაკადში *მეტეორთა* რიცხვი მაქსიმალურია 28 ივლ. ახლოს.

კასირერი (Cassirer) ერნსტ (28. VII. 1874, ბრესლავლი, ახლანდ. ვროცლავი,— 13. IV. 1945, პრინსტონი, ნიუ-იორკი), გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსი, ნეოკანტიანელობის მარბურგის სკოლის წარმომადგენელი. ჰამბურგის უნ-ტის პროფესორი (1919—33) და რექტორი (1930—33). 1933-იდან ემიგრაციაში იყო. 1920 შემდეგ შექმნა კულტურის ორიგინ. ფილოსოფია. პ. *ნატორპსა* და ჰ. *კოჰენთან* ერთად ი. კანტის სისტემიდან განდევნა ცნება „ნივთისა თავისთავად". მისი თვალსაზრისით, „ცდას" („მრავალგვარობას") ქმნის მხოლოდ აზრი. კანტისეული ორი სამყაროს ნაცვლად მან აღიარა მხოლოდ „კულტურის სამყარო", რ-იც იქმნება გონების კონსტრ. მოღვაწეობის საფუძველზე. კულტურის განსხვავებული სფეროები, „სიმბოლური ფორმები" (ენა, მითი, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება), კ-ის მიხედვით, ერთმანეთზე არ დაიყვანება, თავისთავადი წარმონაქმნებია. კ-ის კულტურის ფილოსოფია მოიცავს იდეალ. შეხედულებას ადამიანზე როგორც „სიმბოლოების შემქმნელ ცხოველზე".

კ-ის შეხედულებებმა, კერძოდ, მისმა მოძღვრებამ „სიმბოლურ ფორმებზე", განმსაზღვრელი ზემოქმედება მოახდინა ე. წ. მარბურგის სკოლის მიერ კულტურის ისტ. სფეროში ჩატარებულ კვლევა-ძიებაზე.

თხზ.: Das Erkenntnisproblem in der Philosophie und Wissenschaft der neueren Zeit, Bd. 1—4, B., 1906—57; Познание и действительность, СПб., 1912; ისტორია, «მიმომხილველი», 1972, [ტ.] 6—9.

ლიტ.: ც ი ნ ც ა ძ ე გ., ერნსტ კასირერი, წგნ.: XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970.

კასირსკი იოსებ აბრამის ძე [4 (16). IV. 1898, ფირლანა, — 21. II. 1971, მოსკოვი], საბჭ. თერაპევტი და ჰემატოლოგი. სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1936). 1921 დაამთავრა სარატოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1934-იდან მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ცენტრ. ინ-ტში. კ. შეისწავლიდა ჰემატოლოგიის, რევმატოლოგიის, კარდიოლოგიის, ტროპ. დაავადებებისა და სხვ. პრობლემებს. შექმნა მოძღვრება აქტ. ავტობიოლ. სტიმულატორების როლის შესახებ რემისიების განვითარებაში ლევკოზისა და სისხლის დაავადებათა მორფოდინამიზმის დროს. ვისცერალური ლეიშმანიოზის დიაგნოსტიკისათვის შემოიღო მკერდის ძვლის პუნქციის მეთოდი, რისთვისაც შექმნა სპეც. ნემსი (კ-ს ნემსი). სსრკ-ში პირველმა გამოიყენა ციტოლოგიური დიაგნოსტიკისათვის შინაგანი ორგანოებისა და ლიმფური კვანძების პუნქცია. მსოფლიოში პირველმა განახორციელა მკერდის ძვალშიგა სისხლის გადასხმა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტრავმის, დამწვრობისა და კახექსიის მკურნალობისას. კ. იყო ჰემატოლოგთა საერთაშ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1961—63); პოლ., უნგრ. სამედ. საზ-ბებისა და შვეიც. ჰემატოლოგთა საზ-ბის საპატიო წევრი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

კასიტები (აქადურად კაშშუ, ბერძნ. Kossaīoi), ძვ. ხალხები, რ-ებიც ცხოვრობდნენ ზაგროსის მთიანეთში (დას. ირანი) ახლანდ. ლურისტანის ტერიტორიაზე. ძვ. წ. III ათასწლ. II ნახევარში კ. ელამის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ძვ. წ. 1741 მათ განდაშის მეთაურობით უშედეგოდ ილაშქრეს შუამდინარეთში, ძვ. წ. 1595, განმეორებითი ლაშქრობის დროს, დაიპყრეს ბაბილონეთი, სადაც მათი ბატონობა ძვ. წ. 1204-მდე გაგრძელდა; კ-მა შეითვისეს ადგილ. კულტურის არაერთი ელემენტი, დამწერლობა და პანთეონი; შექმნეს ეკონომიკურად ძლიერი სამხ. არისტოკრატია. ძვ. წ. 1171 კ. საბოლოოდ განდევნეს შუამდინარეთიდან მათ თავდაპირველ საცხოვრ. ადგილებში. ძვ. წ. VIII—VII სს-ში ისინი არაერთხელ დალაშქრეს ასურელმა მეფეებმა. უკანასკნელად იხსენიებიან ძვ. წ. 324, როცა კ. საბოლოოდ გაანადგურა ალექსანდრე მაკედონელმა. კ-ის განვითარების დონეზე წარმოდგენას გვიქმნის ე. წ. „ლურისტანის ბრინჯაოს" საკმაოდ მაღალი კულტურა, რ-იც, როგორც ფიქრობენ, სწორედ კ-მა შექმნეს ძვ. წ. II—I ათასწლ. ბოჯნაზე. მათი ეთნ. კუთვნილების საკითხი საბოლოოდ გადაჭრილი არაა. არის მისაზრება, რომ კ. განეკუთვნებიან ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები ხალხების — ელამელების, გუთიებისა და ლულუბეელების— წრეს. კასიტური ენა, რ-საც ეცნობით ჩვენამდე მოღწეული 48 სიტყვისაკან შემდგარი კასიტურ-აქადური ლექსიკონით, ერთიანდება ზაგროსულ-ელამურ ენათა ჯგუფში, რ-იც, თავის მხრივ, გარკვეულ მსგავსებას ავლენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახთან.

ლიტ.: შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე ზ., კასიტების პირველსაცხოვრისისა და მათი ეთნიკური ენობის საკითხისათვის, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყ-ბის მოამბე», 1961, № 2.

ჯ. შარ.შენიძე.

კასიტერიტი (< ბერძნ. kassiteros— კალა), ჟანგეულების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა SnO_2. მინარევები Nb, Ta, W, Zr, Ti და სხვ. კრისტალდება ტეტრაგონურ სინგონიაში. კრისტალები პრიზმული ან ბიპირამიდული აქვს, აგრეგატები წვრილმარცვლოვანი. ყავისფერი, ნაცრისფერი, შავი, იშვიათად მოწითალოყვითელია. ელვარება ალმასისებრი აქვს. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 6—7; სიმკვრივე 6040—7120 *კგ/მ*^{3}. გვხვდება მჟავე ქანებთან დაკავშირებულ პეგმატიტებსა და ჰიდროთერმულ-პნევმატოლიზურ წარმონაქმნებში, აგრეთვე ქვიშრობებში (კ-ის მთავოვების ძირითადი წყარო). კ. კალის ძირითადი მადანია. კ-ს საბადოები არის სსრკ-ში (შორეული აღმოსავლეთი, შუა აზია, ყაზახეთი), მალაიზიაში, ტაილანდში, ინდოეთში, ჩინეთში, ბოლივიაში, ნიგერიასა და სხვ.

კასიტური ენა, თანამედროვე ლურისტანის (დას. ირანი) ტერიტორიაზე ძვ. წ. II—I ათასწლეულებში გავრცელებული აწ მკვდარი ენა. აქადურ წყაროებში დადასტურებული კასიტური სიტყვების (მეტწილად საკუთარი სახელები) ანალიზის შედეგად გამოვლენილია ასიოდე ძირი და რამდენიმე აფიქსი. ზოგიერთი მკვლევარი (გერმ. მეცნიერები გ. ჰიუშინგი და ფ. დელიჩი) ვარაუდობს, რომ კ. ე. ელამურს ენათესავება.

კასიუს დიონ კოქციეიანუსი (Cassius dio Cocceiannus), რომაელი ისტორიკოსი (დაახლ. 153—235). წარმოშობით ბითინიის ქალაქ ნიკეიდან. ეკავა მაღალი სამოხელეო თანამდებობები, ეკუთვნოდა სენატორთა უმაღლეს წოდებას. ავტორია რამდენიმე ისტ. თხზულებისა. ჩვენამდე (ნაწილობრივ დაზიანებულმა) მოაღწია „რომის ისტორიამ" 80 წიგნად, რ-იც მოიცავს ხანას რომის დაფუძნებიდან 229-მდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თხზულების ის ნაწილი, სადაც ავტორი თავის თანამედროვე მოვლენებს აღწერს და იყენებს ოფიც. დოკუმენტებს. მაგრამ კ. დ. კ-ის თხზულება რომის ისტორიის სხვა პერიოდებისთვისაც ძვირფას წყაროს წარმოადგენს, რამდენადაც აქ ძველ ისტორიკოსთა ნაშრომების გვერდით გამოყენებულია მხედართმთავართა, მოხელეთა ანგარიშები, მოგზაურთა აღწერილობები, დოკუმენტური მასალა. „რომის ისტორია" უპირატესად პოლიტ. ისტ. ფაქტებს განიხილავს. ნაშრომში მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველო-რომის ურთიერთობის შესახებ (პომპეუსის ლაშქრობა იბერია-კოლხეთში, შემდეგდროინდელი მოვლენები, რომთან იბერიის დამოკიდებულება ახ. წ. II ს-ში, ფარსმან II-ის დროს და სხვ.). ზოგი ამ ცნობათაგან სრული ან უნიკალურია.

პუბლ. Dio's Roman History with an English translation by E. Cary, L. — Camb. (Mass.), 1954—55; დიონ კასიოსის (კოკეიანოსის) ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნ ტექსტი ქართ. თარგმ. გამოსცა და შესავალი და კომენტ. დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966 *ნ. ლომოური.*

კასიუსი გაიუს ლონგინუს (Gaius Cassius Longinus) (ძვ. წ. I ს.), რომაელი პოლიტიკური მოღვაწე. ძვ. წ. 53 როგორც კვესტორი კრასუსის აღმ. ლაშქრობაში მონაწილეობდა. კრასუსის დაღუპვის შემდეგ წარმატებით მოიგერია გამარჯვებულ პართიელთა შეტევები და ანტიოქიასთან დაამარცხა მოწინააღმდეგე (51). 49 იგი აირჩიეს სახ. ტრიბუნად. პომპეუსსა და იულიუს კეისარს შორის ატეხილ სამოქალაქო ომში კ-ს პომპეუსის მხარე ეჭირა. 49 კ-ის სარდლობით სიცილიის სანაპიროებთან პომპეუსის მომხრეებმა დაამარცხეს იულიუს კეისრის ფლოტი. ფარსალოსთან იულიუს კეისრის გამარჯვების (48) შემდეგ კ. ჩაბარდა კეისარს, რ-მაც მას ლეგატობა უბოძა. 44 ბრუტუსთან ერთად კ. გახდა მთავარი ორგანიზატორი შეთქმულებისა, რ-საც კეისარი ემსხვერპლა. შემდეგ უკანასკნელი რესპუბლიკელები კ-ისა და ბრუტუსის მეთაურობით იბრძოდნენ მე-2 ტრიუმვირატის (ანტონიუსი, ოქტავიანე, ლეპიდუსი) წინააღმდეგ. გენ. ბრძოლა გაიმართა მაკედონიაში, ქ. ფილიპესთან (42). რესპუბლიკელები დამარცხდნენ. კ-მა და ბრუტუსმა თავი მოიკლეს. *ლ. სანიკიძე.*

კასკადი (ფრანგ. cascade<იტალ. cascata<cascare — სწრაფი ვარდნა), საფეხურებად ჩამომდინარე ბუნებრივი ან ხელოვნური ჩანჩქერი. საპარკო არქიტექტურაში კ-ებს ქმნიან სხვადასხვა დონეზე განლაგებული წყალსატევებით, შვერილებითა და საფეხურებით, რ-ებზედაც მოედინება წყალი. ცნობილია იტალ. ვილების — დ'ესტესა (ტივოლი, 1550—72, არქიტ. პ. ლიგორიო) და ალდობრანდინის (ფრასკატი, 1598—1604, არქიტ. ჯ. დელა პორტა, კ. მადერნა), აგრეთვე *პეტროდვორეცის* პარკის კ-ები.

კასკადოვანი მთები (Cascade Range), ქედი ჩრდ. ამერიკის კორდილიერების სისტემაში, აშშ-სა და კანადაში. სიგრძე დაახლ. 1000 *კმ*, სიმაღლე 4392 *მ*-მდე (ვულკ. რეინირი). სახელი ეწოდა მდ-ებზე (კოლუმბია, ფრეიზერი, კლამათი და სხვ.) საფეხურისებრი ჩანჩქერების (კასკადების) სიმრავლის გამო. კ. მ-ის ძირი აგებულია მეზოზოური კრისტ. ქანებით, რ-ებიც ზემოდან პალეოგენ-ნეოგენური ლავებითაა დაფარული. ვულკ. კონუსების სიმაღლე 3000—4000 *მ*-ს აღემატება. ვულკანთა უმრავლესობა ჩამქრალია. ბევრია ცხელი წყარო და ფუმაროლი. ეულკ. მწვერვალებზე მყინვარებია. დას. ნოტიო კალთებზე მუქწიწვოვანი ტყე, აღმ. მშრალ კალთებზე — ფიჭვის ტყე. 2800 — 3000 *მ*-ზე მაღლა — სუბალპ. და ალპ. მდელო. არის სპილენძისა და ოქროს საბადოები. ეროვნ. პარკები.

კასლანძია ლეუარსან შარდინის ძე (დ. 25. V. 1912, სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის რ-ნი), აფხაზი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1954). 1929—33 სწავლობდა სოხუმის თეატრ. სტუდიაში. 1931-იდან სოხუმის თეატრის აფხ. დასის მსახიობია. ასრულებს ტრაგიკულ და სახასიათო როლებს: ოტელო (შექსპირის „ოტელო"), დაური (გულიას „გმირის კლდე"), გიორგი (გაბესკირიას „სამი მეგობარი"), ჯემალი (მოსაშვილის „ჩაძირული ქვები"), თარაში (გაბუნიას „მზის ამოსვლის წინ"), კოლომიიევი (გორკის „უკანასკნელნი") და სხვ.

ლიტ.: არგუნი ა., ლეუარსან კასლანძია, თბ., 1970.

კასლეთი, მდინარე მესტიის რ-ნში, ეგრისის ქედის ჩრდ. კალთაზე. სიგრძე 23 *კმ*, აუზის ფართ. 76 *კმ*². იწყება ზ. დ. 2875 *მ* სიმაღლეზე პატარა ტბიდან. ერთვის მდ. თხეიშს მარჯვნიდან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში, წყალმცირობა — ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 4 *მ*³/*წმ*.

ი. აფხაზავა.

კასოლა (Cassola) კარლო (დ. 17. III. 1917, რომი), იტალიელი მწერალი. *ნეორეალიზმის* წარმომადგენელი. ომამდე წერდა უსიუჟეტო, ფრაგმენტულ, ესკიზების ტიპის მოთხრობებს. წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობამ, ფაშიზმის ბატონობის მძიმე წლებმა მკვეთრად შეცვალა მისი მსოფლაღქმა. კ. დაინტერესდა საზ. პრობლემატიკით. მის ნაწარმოებებში აისახა ომის წლების იტალ. ცხოვრება, ომის შემდგომი საზ. წინააღმდეგობრიობა და დაბნეულობა (მოთხრობები „ძველი მეგობრები", 1953; „ტყის გაჩეხვა", 1941, გამოქვეყნდა 1953; „სახლი ვალადიეს ქუჩაზე", 1956; „ომის შემდგომი ქორწინება", 1957; რომანები „ფაუსტო და ანა", 1952; „ბუბეს საცოლე", 1960 და სხვ.). 60—70-იანი წლების თხზულებებში კ. ფსიქოლ. საკითხებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე სოც.-პოლიტ. პრობლემატიკით.

კასონა (Casona) ალეხანდრო (ნამდვ. გვარი როდრიგეს ალვარესი, Rodriguez Alvarez) (23. III. 1903, ბესულიე, ასტურია, — 24. IX. 1965, მადრიდი), ესპანელი დრამატურგი. 1931 მადრიდში ჩამოაყალიბა სახ. თეატრი. სტუდენტებისაგან შემდგარი დასით მოიარა ესპ. მრავალი სოფელი. 1939—63 ემიგრაციაში იყო არგენტინაში. კ. უმთავრესად ცნობილია ლირ. დრამებითა და კომედიებით, რ-თაგან აღსანიშნავია „კვლავ ეშმაკი" (1935), „გაზაფხულზე აკრძალულია თავის მოკვლა" (1937), „შვიდი კვირა ოკეანეში" (1952), „მესამე სიტყვა" (1954), „ოქროს დეზების კავალერი" (1965). კ-ს პიესა „ხეები ზეზეულად კვდებიან" (1949) იდგმებოდა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში (1957, დადგმა ვ. ანჯაფარიძისა, რეჟ. თ. კანდინაშვილი).

კასპი, ქალაქი (1959-იდან) აღმ. საქართველოში, რ-ნული და საქალაქო საბჭოს ცენტრი (სოფლები: მიქელწყაროო, მირიანი). გაშენებულია მდ. ლეხურის ნაპირებზე, იქ, სადაც მდინარე კვეთს კვერნაქის სერს და გამოდის ვაკეზე. რკინიგზის სადგური, ზ. დ. 560 *მ*, თბილისიდან 48 *კმ*. 13,6 ათ. მცხ. (1978).

ახლანდ. ქალაქის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია. მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ" კ-ს ქართლის 4 უძველეს ქალაქთა შორის მოიხსენიებს. მემატიანე ლეონტი მროველი (XI ს.) ქალაქის დაარსებას ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქ უფლოსს მიაწერს. V ს-ში კ. ციხე-ქალაქია. VIII ს. 30-იან წლებში არაბმა სარდალმა მურვან ყრუმ დაარბია. XV ს-იდან ეკუთვნოდა მსხვილ ფეოდ. საგვარეულოს—ამილახვრებს.

ქალაქი ძირითადად გორაკ-ბორცვებზეა გაშენებული. ჰავა სტეპურიდან ნოტიოზე გარდამავალია; იცის ზომიერად ცივი ზამთარი და მშრალი ცხელი ზაფხული. ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა 11,4°C, იანვ. 0,5°C, აგვ. 23°C; აბსოლ. მინ. ტემპ-რა —27°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ნალექები 450 *მმ* წელიწადში. კ-ის მახლობლადაა ცემენტის ნედლეულის დიდი საბადო, რ-ის ბაზაზე მუშაობს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი. კ-ში არის აგრეთვე ქ-ნა „ელექტროაპარატი", ღვინისა და კონსერვის ქ-ნები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. 3 საშ. სკოლა, ინდუსტრ. ტექნიკუმი, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, საბავშვო ბაგა, 4 საბავშვო ბაღი, ბ-კა, კულტსახლი, კინოთეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, კავშირგაბმ. განყ-ბა. კ-ში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ეკლესიები—კვირაცხოველი, ღვთისმშობელი და „შუბნიშანი". კ-ში დგას გიორგი სააკაძის ძეგლი და 1941—45 დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი (1971, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი, არქიტ. გ. ჯაფარიძე).

ვ. ჯაოშვილი. ჯ. გვასალია.

ლ. კასლანძია.

კასპიელები (ბერძნ. Kaspioi, ლათ. Caspii), იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ტომები, ცხოვრობდნენ აღმ. აზერბაიჯანის სტეპებში. პირველად ახსენა ჰეროდოტემ ძვ. წ. V ს-ში. მოგვიანებით (დაახლ. ძვ. წ. I ს.) შეერივნენ მიდიელებს, ალბანელებს და სხვ. ტომებს. მათი სახელი ეწოდა კასპიის ზღვას და ძვ. აზერბ. ერთ-ერთ ოლქს — კასპიანეს.

კასპიის ზღვა (ბერძნ. Kaspion pelagos, ლათ. Caspium Mare), მსოფლიოს უდიდესი გაუდინარი წყალსატევი სსრკ-სა (რსფსრ, ყაზ. სსრ, თურქმ. სსრ, აზერბ. სსრ) და ირანში. ზოგჯერ მსოფლიოს უდიდეს ტბად თვლიან, რაც სწორი არაა, რადგან სიდიდითა და გეოლ. ისტორიით ზღვაა. „კ. ზ." ეწოდა კავკასიის აღმ. ნაწილში მცხოვრები ძვ. ტომის *კასპიელების* სახელის მიხედვით. უფრო ადრე მას ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომების სახელების მიხედვით ჰირკანიის, გურგანის, დარუბანდის, ხაზარების ზღვასაც უწოდებდნენ.

კ. ზ. გადაჭიმულია ჩრდ-იდან სამხრ-კენ თითქმის 1200 *კმ*-ზე, საშ. სიგანეა 320 *კმ*, სანაპირო ხაზის სიგრძე დაახლ. 7 ათ. *კმ*, აქედან 6 ათ. *კმ*-ზე მეტი სსრკ-ის საზღვრებშია. ფართ. 371 ათ. *კმ*². წყლის დონე (1969 მონაცემებით) 28,5 *მ* დაბალია მსოფლიო ოკეანის დონეზე. მაქს. სიღრმეა 1025 *მ*. ზღვაში 50-მდე პატარა კუნძულია, რ-თა საერთო ფართ. დაახლ. 350 *კმ*².



კასპიის ზღვა

უდიდესი ყურეები

ყიზლარისა
კომკავშირელისა
მანგიშლაყისა
ქენდირლისა
ყაზახეთისა
ყარა-ბოღაზ-გოლისა

დიდი კუნძულები

ჟულალი
სელაპისა
ჩეჩენი
არტემისა
ტილოი
ოგურჩინსკი

ერთვის მდინარეები

ვოლგა
ემბა
ურალი
თერგი
სამური
მტკვარი
გორგანი
პერაზი
სეფიდრუდი

წყლის ბალანსი $კმ^3$

შემოსავალი	
ნალექები	66,8
მდინარეული ჩამონადენი	266,4
მიწისქვეშა ჩამონადენი	5

გასავალი	
აორთქლება	357,3
წყლის დანაკარგი	4
წყალმოხმარება	1

უდიდესი ნავსადგურები

ს ს რ კ

ასტრახანი
ბაქო
მაჰაჩყალა
კრასნოვოდსკი
შევჩენკო

ი რ ა ნ ი

ენზელი
ბენდერ-შაპი

ზღვის ჩრდ. ნაწილის სანაპირო დაბალია, დიდი ფართობი უკავია ვოლგის, ურალისა და თერგის დელტებს. დას. ნაპირი მეტწილად აკუმულაციურია; დაღ. და აფშერონის ნ.-კ-ის ნაპირების ზოგიერთი მონაკვეთი აბრაზიულია. აღმ. სანაპიროზე უმთავრესად აბრაზიული ნაპირებია. აკუმულაციური ფორმები (ძირითადად ცელები) გვხვდება ყარა-ბოღაზ-გოლის, ქენდირლისა და კრასნოვოდსკის ყურეებთან. სამხრ. სანაპიროზე ჭარბობს აკუმულაციური ფორმები.

ფსკერის რელიეფისა და ჰიდროლ. თავისებურებების მიხედვით კ. ზ-ს 3 ნაწილად ყოფენ: ჩრდ. ნაწილი (ფართ. დაახლ. 80 ათ. $კმ^2$) ყველაზე წყალმარჩხია (სიღრმეები 4—8 *მ* არ აღემატება), ფსკერი ოდნავ ტალღოვანი აკუმულაციური ვაკეა, რ-ზედაც ცალკეული მარჩხობები და აკუმულაციური კ-ებია; შუა ნაწილში (ფართ. დაახლ. 138 ათ. $კმ^2$) გამოიყოფა დერბენტის ქვაბული (მაქს. სიღრმე 788 *მ*), შელფი და კონტინენტური ფერდობი, რ-იც დანაწევრებულია წყალქვეშა მეწყრებითა და კანიონებით; სამხრ. ნაწილი (ფართ. დაახლ. 150 $კმ^2$) უმთავრესად ღრმა ქვაბულია (მაქს. სიღრმე 1025 *მ*), რ-ის ფსკერი ბრტყელ აბისალურ ვაკეს წარმოადგენს. დას. და სამხრ. სანაპიროს ვიწრო ზოლად გაუყვება შელფი, რ-იც აღმ. სანაპიროსთან ფართოვდება.

კ. ზ-ის ჩრდ. ნაწილი აღმ. ევრ. ბაქნის კასპიისპირა სინეკლიზის კიდეზეა. შუა ნაწილის ფსკერი ჰეტეროგენული სტრუქტურისაა: აღმ-ით ეპიჰერცინული თურანის ბაქნის დაბირული ნაწილია, ხოლო დასით — კავკასიონის გეოსინკლინის კიდური როფის გაგრძელება. სამხრ. ნაწილის ფსკერისათვის დამახასიათებელია სუბოკეანური დედამიწის ქერქი (25 $კმ$ სისქის დანალექი ფენა უშუალოდ ადევს ბაზალტურ ფენას). კ. ზ-ის აუზის გეოლ. ისტორია ზედა მიოცენამდე მჭიდროდ იყო დაკავშირებული შავ ზღვასთან. ზედამიოცენური დანაოჭების შემდეგ კავშირი შეწყდა და ზედა პლიოცენში მცირე ხნით განახლდა. ანთროპოგენური პერიოდის ტრანსგრესიებისა და რეგრესიების კვალი შეიმჩნევა ზღვიური ტერასების სახით და ძველკასპიური ნალექების სტრატიგრაფიაში. კ. ზ-ის ფსკერიდან იღებენ ნავთობს, აირს, ყარა-ბოღაზ-გოლის ყურიდან — მირაბილიტს.

კ. ზ-ის ჰავა ძლიერ კონტინენტურია, იცის მკაცრი ზამთარი (განსაკუთრებით ჩრდ. ნაწილში), ტემპ-რის მკვეთრი ცვალებადობა წლის განმავლობაში, მცირე ნალექები (გარდა სამხრ.-დას. ნაწილისა) და მშრალი ქარები (ზღვის სამხრ. ნაწილში — მუსონური ხასიათისა). თბილი თვეების (ივლ.-აგვ.) საშ. ტემპ-რა 24—26°C, აბსოლ. მაქს. (44°C) აღმ. სანაპიროზეა; ზამთრის თვეების საშ. ტემპ-რა იცვლება —10°C-იდან (ჩრდ.) 12°C-მდე (სამხრ.). ნალექები 90—100 *მმ*-იდან (აღმ.) 400 *მმ*-მდე (დას.), მაქს. 1700 *მმ* (სამხრ.-დას.) წელიწადში. წყლის ზედაპირიდან აორთქლების წლ. ჯამი 1000 *მმ*.


კასპის რაიონი
ბაქო
ასტრახანი
ენზელი
ბენდერ-შაპი
ოქტომბერი
ოკეანე
ინდოეთი
ირანი
ავღანეთი
ინდოეთის ოკ.
ბ ა ქ ა
ბ ა ბ ა ნ ი
ბ ა ბ ა ნ ი
ბ ა ბ ა ნ ი

ზაფხული გვალვიანია. გაბატონებულია დას. და აღმ. ქარები. მთიან ნაწილში ხშირია მთა-ხეობათა ქარები.

Შიგა წყლები. რ-ნს თითქმის შუაზე კვეთს მდ. მტკვარი, რ-ის სიგრძე აქ დაახლ. 29 *კმ*-ია. მისი შენაკადებიდან მთავარია: მარცხნიდან ქსანი და ლეხურა, ხოლო მარჯვ. თეძამი და კავთურა. კავთურა მთლიანად რ-ნის ტერიტორიაზეა, დანარჩენი კი მხოლოდ ქვემო დინებით ეკუთვნის ᲙᲐᲡᲞ. რ-ს. მდ-ები შერეული საზრდოობისაა, ჭარბობს წვიმით საზრდოობა.

მდინარეთა ჩამონადენი 3,5 *ლ/წმ*-იდან (ბარში) 15—20 *ლ/წმ*-მდე აღწევს (მთაში). ჩამონადენის მაქს. გაზაფხულზეა, მინ. — ზამთარში. მდ-ებს იყენებენ ენერგეტ. მიზნებისათვის და სას.-სამ. მიწების მოსარწყავად.

ნიადაგები. მტკვრისპირა და მუხრანის ვაკეებზე, აგრეთვე მთავარ მდინარეთა ხეობების ძირზე განვითარებულია კარბონატული და უკარბონატო ალუვიური ნიადაგები. ვაკის ტენიანი უბნები მდელოს კარბონატულ ნიადაგებს უჭირავს. მთისწინეთში და თრიალეთის ქედის კალთების ქვემო ნაწილში გავრცელებულია ტყის ყავისფერი ნიადაგი, შუა და ზემო ნაწილში — ტყის ყომრალი ნიადაგი. თხემურ ზოლში ჩამოყალიბებულია კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები. კვერნაქის სამხრ. კალთაზე და მდინარეთა ხევ-ხეობების ციცაბო ფერდობებზე სუსტად განვითარებული, მცირე სისქის, ზოგან ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგებია.

მცენარეული საფარი. ᲙᲐᲡᲞ. რ-ის ვაკის მდინარეთა ჭალებსა და ჭალისზედა ტერასებზე შემორჩენილია ჭალის ტყეები. მთავარი ჯიშებია ტირიფი, ვერხვი, ოფი, მურყანი, ჭალის მუხა, ქვეტყეში არის კუნელი, ქაცვი, მგლისყურძენა და სხვ. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს ჯაგეკლიან სტეპს, სადაც გვხვდება ტყის ელემენტები. მათი მთავარი შემქმნელია ძეძვი, შავჯაგა, გრაკლა, კვრინჩხი, კუნელი, აკაკი, ქართული მუხა. ბალახეულიდან გავრცელებულია ურო, წივანა, ურცი, იორდასალამი და სხვ. მთების ქვემო კალთებზე მუხნარი და რცხილნარია, იზრდება ნეკერჩხალი, იფანი, პანტა, მაჟალო და სხვ. ამ ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხილია.

თრიალეთის ქედის კალთის შუა ნაწილი უჭირავს წიფლნარს. წიფელთან ერთად იზრდება იფანი, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი. ქვეტყეში არის თხილი, უცვეთელა, ჭანჭყატი და სხვ. ამავე ზონაში მცირე კორომებად გავრცელებულია ნაძვნარი და ნაძვნარ-სოჭნარი. ტყის ზემო საზღვრის გასწვრივ ტანბრეცილა წიფლის, არყის, მაღალმთის ბოყვისა და მუხის სუბალპ. ტყეებია. თრიალეთის ქედის თხემი შემოსილია მეორადი მთის მდელოებით.

ცხოველთა სამყარო. ᲙᲐᲡᲞ. რ-ში ბინადრობს შველი, კვერნა, მაჩვი, მგელი, მელა, ტურა, მურა დათვი; მღრღნელებიდან — ციყვი, თაგვი, ზაზუნა, კურდღელი, ბევრია ღამურა, ზღარბი, თხუნელა, ბიგა. ფრინველებიდან აღსანიშნავია ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, შოშია, ტოროლა, კოდალა, გუგული და სხვ., ქვეწარმავლებიდან — კუ, ხვლიკი, გველგესლა, ანკარა; ამფიბიებიდან — ბაყაყი, გომბეშო, ტრიტონი. მდ-ებში არის კალმახი, ხრამული, ტობი და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები. ᲙᲐᲡᲞ. რ-ის ტერიტორიაზე გავრცელებულია ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ვაკეთა და მთისწინეთის და ზომიერად ნოტიო ჰავის მთა-ტყის ლანდშაფტის ტიპები, რ-ებშიც გამოიყოფა შემდეგი სახე: 1. ჭალის მცენარეულობა ალუვიური ნიადაგებით; 2. დახრამული ტერასული ვაკე ჯაგეკლიანი და სტეპური მცენარეულობით, ალუვიური და ყავისფერი ნიადაგებით; 3. ხევ-ხეობები ციცაბო (ალაგ-ალაგ ბედლენდური) ფერდობებით, ფრიგანოიდული, სტეპური და კლდის ქსეროფილური მცენარეულობითა და ჩამორეცხილი ნიადაგებით; 4. ხევ-ხრამიანი მთისწინეთის კალთები ჯაგეკლიანი და სტეპური მცენარეულობით, ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 5. მთისწინეთის კალთები ჯაგრცხილნარ-მუხნარით და ჯაგეკლიანებით, ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 6. ბორცვიანი მთისწინეთი ჯაგეკლიანებით და ჯაგრცხილნარ-მუხნარით, ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 7. დაბალი მთები რცხილნარ-მუხნარით, ტყის ყომრალი და ტყის ყავისფერი ნიადაგებით; 8. საშ. მთები (მოსწორებული ზედაპირების უბნებით) წიფლის, ზოგან ნაძვნარ-ფიჭვნარითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით; 9. სუბალპ. ტყეები და მდელოები მთის ტყისა და მთის მდელოს ნიადაგებით.

სახალხო მეურნეობა. მაღალ დონეზეა როგორც მრეწვ., ისე სოფ. მეურნეობა. მრეწვ. განვითარებას ხელს უწყობს მერგელების მძლავრი საბადო, სხვადასხვა სახის სას.-სამ. ნედლეული და არსებული შრომითი რესურსები.

სოფლის მეურნეობა. ძირითადი დარგებია მევენახეობა, მეხილეობა და მარცვლეულის მეურნეობა, განვითარებულია აგრეთვე სარძეო მეცხოველეობა. ყოველწლიურად ფართოვდება სპეციალიზაცია სას.-სამ. წარმოებაში. მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ხეხილის ბაღების ფართობების სწრაფი ზრდა როგორც საზ. სექტორში, ისე საკარმიდამო ნაკვეთებზე. რ-ნში 10 საბჭ. მეურნეობა და 6 სამეურნეო-ათაშორისო მეურნეობა-ორგანიზაციაა: 3 მევენახეობის (ქსნის, ლამისყანის და ოკამის), მებოსტნეობა-მერძეველობის (კავთისხევის), მებოსტნეობის (ქვათახევის), მეხილეობის (თეძმის), მეხილეობა-მებოსტნეობის (კოდისწყაროს), მეთესლეობის (დოესის), სანერგე მეურნეობა (ქვემო ხანდაკის), სატყეო მეურნეობა (ახალქალაქის), ღორების გამოსაზრდელი და სასუქებელი სამეურნეობათაშორისო საწარმო, მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო, მეფრინველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო, ცხოველთა ხელოვნური დათესლვის სამეურნეობაოაშორისო ორგანიზაცია, მელიორაციის სამეურნეობათაშორისო ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება.

მრეწველობაში წამყვანია საშენ მასალათა წარმოება. დიდი მნიშვნელობა აქვს ცემენტის, შიფერის, აგურის, საკედლე ბლოკების დამზადებას. ამ დარგის მსხვილი საწარმოებია კასპის ცემენტ-შიფერის და მეტეხის საშენ მასალათა კომბინატები. ნედლეულს როგორც კასპის, ისე რუსთავის ცემენტის ქ-ნებისათვის ამზადებს კავთისხევის მაღაროთა სამმართველო. ᲙᲐᲡᲞ. რ. დიდი რაოდენობით აწვდის საშენ მასალას თბილისსა და რესპ. ბევრ სხვა ქალაქს. კასპის ქ-ნა „ელექტროაპარატი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმოა რესპუბლიკაში. რ-ნის სამრეწვ. პროდუქციის 1/3 მოდის კვების მრეწვ. საწარმოებზე, რ-თა შორის აღსანიშნავია ღვინისა და კონსერვის ქ-ნები და ხილ-კენკროვანი ღვინოების საწარმო.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. რ-ნს აღმ-იდან დას.-კენ კვეთს რესპ. მთავარი სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალები. ქ. კასპი კეთილმოწყობილი გზებით დაკავშირებულია სოფლებთან და მეზობელ რ-ნებთან. ადგილ. მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძეა 196 *კმ*. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ბოლო წლებში ავტოტრანსპორტი.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. ᲙᲐᲡᲞ. რ-ში არის 53 ზოგადსაგანმან. სკოლა (10,0 ათ. მოსწავლე, 898 მასწავლებელი), სალამოს (ცვლიანი) საშ. სკოლა და ინდუსტრ. ტექნიკუმი, მუს. და სპორტსკოლები, 21 საბავშვო ბაგა-ბაღი, 34 კლუბი, 47 ბ-კა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი სოფ. ხოვლეში. გამოდის რ-ნული გაზეთი „განთიადი". სოფლების უმეტესი ნაწილი ელექტრიდა რადიოფიცირებულია. იღებენ ტელეგადაცემებს. მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 2 საავადმყოფო (320 საწოლით), 15 ამბულ.-პოლიკლინიკა და 15 საფერშლო-სამეანო პუნქტი, 742 მედმუშაკი.

ისტ. ძეგლებია: *იდლეთის* იოანე ნათლისმცემლის (VI ს.), *იკვის* წმ. გიორგის (XI ს. II ნახ.), *კაბერის* (X—XI სს.) ეკლესიები, *სამთავისის* საეპისკოპოსო ტაძარი (XI ს.), ქვათახევის მონასტერი (XII—XIII სს. მიჯნა), *მაღალაანთ ეკლესია* (XII ს. დასასრ.) წინარეხის მიდამოებში, *რკონის* სამონასტრო ანსამბლის ბაზილიკა (ადრინდ. შუა საუკ.) და ეკლესიები (განვითარებული შუა საუკ.), *მეტეხის* (XIII ს.), *ერთაწმინდის* წმ. ესტატეს (XIII ს.) ეკლესიები, *გუდალეთის* ღვთისმშობლის ტაძარი (XIII—XIV სს. მიჯნა), გიორგი საკაძის კოშკი (XVII ს.) *ნოსტეში*. სხვილოს ციხე (შუა საუკ.). ქ. კასპშია გიორგი საკაძის ძეგლი და 1941—45 წწ. დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი. *ქრ. ჯაყელი. ვ. ჯაოშვილი.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 464—465

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ, გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. XIV—VIII სს.) სამაროვანი ქ. კასპში, მდ. ლეხურის მარჯვ. ნაპირზე. 1962—63 გათხარეს (მ. ბარამიძე) ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ორმოსამარხები და 1 კენოტაფი. სამარხი ორმო სწორკუთხა ან ოვალურია და ხის ძელებით ან ფიქალითაა გადახურული. სამარხები ძირითადად თითო მიცვალებულისთვისაა განკუთვნილი. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ კიდურებმოხრილი, მარჯვ. (მამაკაცები) ან მარცხ. (ქალები) გვერდზე, იშვიათად — გაშოტილი. ყოველ მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა 1-იდან 16-მდე თიხის ჭურჭელი (უმთავრესად მორგვზე დამზადებული შავი, ლეგა ან მონაცრისფრო ხელადები, დოქები, ტოლჩები, სასმისები, ბადია-ლანგრები, დერგები, ქილები, ქოთნები, სადღვებლები და სხვ.); იარაღი (ბრინჯაოს ფოთლისებური, გრძელყუნწიანი სამკუთხა ფორმის სატევრები, მოკლე მახვილი, მასრაგასხსნილი და მთლიანმასრიანი შუბისპირები და ხელშუბისპირები, ისრისპირები, რკინის სატევრები და შუბისპირები); სამკაული (საკინძები, სამაჯურები, საკანჭურები, ამულეტები, ნემს-მახათები, მაშა-ჩქიფები, სარდიონის, პასტის, კაურის და ქარვის ნაირგვარი მძივები და სხვ.). მსგავსი მასალა აღმოჩენილია აღმ. საქართველოს (სამთავრო, ნარეკვავი, აღაიანი, მეტეხი, კავთისხევი, ხოვლე, თბილისი და სხვ.) სინქრონულ ძეგლებში.

ლიტ.: ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი, «მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1965, ტ. 4.

მ. ბარამიძე.

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢ-ᲨᲘᲤᲔᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ, საბჭ. საქართველოს ცემენტის მრეწველობის პირველი საწარმო ქ. კასპში (1978-მდე ეწოდებოდა კასპის ცემენტის ქ-ნა). თბილისიდან 48 *კმ*-ზე. მშენებლობა დაიწყო 1927 კასპის კირქვისა და თიხის საბადოების წარმოების ათვისების ბაზაზე. საწარმოს ძირითადი პროდუქციაა ცემენტი, შიფერი და წვრილი საკედლე ბლოკები. პირველი ქართ. ცემენტი გამოუშვეს 1930. შიფერის წარმოება კომბინატმა აითვისა 1945, საკედლე ბლოკებისა — 1960. 1947 დაიწყო კომბინატის გაფართოება. 1949 კომბინატის საწარმოო სიმძლავრემ შეადგინა 250 ათ. ტ ცემენტი, 1953 წ.—390, 1966 წ.—760, ხოლო 1976 წ.— 830 ათ. ტ.

კომბინატის მზა პროდუქცია ძირითადად რესპ. შიგნით მოიხმარება, 1968 წლიდან 400 მარკის საექსპორტო ცემენტს გზავნიან ირანში.

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ფართობი	803,2 *კმ*²
რაიცენტრი	ქ. კასპი
საქალაქო საბჭო	1
სასოფლო საბჭო	16
ქალაქი	1
სოფელი	70

სასოფლო საბჭო

ალაიანი
ახალქალაქი
ახალციხე
გომი
დოესი
ზემო ხანდაკი
კავთისხევი
კოდისწყაროს
ლამისყანა
მეტეხი
ოკამი
სამთავისი
ქვემო ჭალა
ყარადაჯი
წინარეხი
ხოვლე

რაიონშია

ათასი ჰა, 1975 წ. 1 ნოემბერი	
სახნავი მიწა	13,2
მრავალწლოვანი ნარგავები	5,8
სათიბ-საძოვარი	18,5
ტყე და ბუჩქნარი	29,4
სარწყავი მიწა	16,6
ნათესი ფართობი	12,6
მარცვლეული კულტურები	7,1
ხორბალი	2,7
სიმინდი	2,5
საკვები კულტურები	3,9
შაქრის ჭარხალი	0,5
ბოსტნეული	1
ხეხილის ნარგავი	4,6
ზვრები	3,6

მეცხოველეობა

(ათ. სული, 1975)

მსხვილი რქოსანი საქონელი	16,7
ცხვარი და თხა	27,8
ღორი	5,8

დ. კასრაძე.

ა. კასტალსკი.

ანდრეა დელ კასტანიო. კონდოტიერ პიპო სპანოს პორტრეტი. ფრესკა. 1450 შემდეგ. ანდრეა დელ კასტანიოს მუზეუმი. ფლორენცია.

გათვალისწინებულია კომბინატში აშენდეს ორი ტექნოლ. ხაზი, რ-იც მნიშვნელოვნად გაზრდის საწარმოო სიმძლავრეს.

კომბინატის კოლექტივი რესპ. და რ-ნულ სოციალ. შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის არაერთხელ დაჯილდოვდა საქართვ. კომპარტიის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი და საპატიო წითელი დროშით.

ᲙᲐᲡᲠᲐᲫᲔ დავით ილარიონის ძე (27. XII. 1885, სოფ. ავნევი, ახლანდ. გორის რ-ნი,— 16. II. 1965, თბილისი), ქართვ. საბჭ. მწერალი, დაამთავრა გორის სას. სასწავლებელი, შემდეგ თბილ. სამხატვრო სასწავლებელი. 1908—10 სწავლობდა პარიზის უნტის ფილოს. და ლიტ-რის ფაკ-ტზე. ᲙᲐ-ის კრიტ.-პუბლიც. წერილები და მოთხრობები 1901-იდან იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1923 ბათუმის გაზ. „მწვერვალის" რედაქტორი იყო. ᲙᲐ-ის თხზულებათაგან აღსანიშნავია რომანი „გურანდა" („როსკიპი", 1912), რ-შიც მძაფრადაა გაკრიტიკებული ცარიზმის რეჟიმი, იმპერიალ. სამყაროს მამხილებელი რომანი „კეთრი" (1928), ჰეროიკული პოემა „ლეგენდა რუსთაველზე" (1961), ისტ. რომანი „იბერიის დედოფალი" (1964), ორიგინ. და გადმოკეთებული პიესები „მეფე არლეკინი" (1912), „რია" (1918), „ციხის ცრემლები" (1922), „იუდა" (1924) და სხვ.

ᲙᲐ-მ თარგმნა ლ. ტოლსტოის, გოგოლის, ტურგენევის, მოლიერის, ფრანსის, ზოლას, მეტერლინკის, როსტანის, გოლდონის და სხვ. თხზულებანი. ავტორია მონოგრაფიებისა ქართ. სცენის მოღვაწეებზე („ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი", 1913; „ალექსანდრე წუწუნავა", 1957), წერილებისა ქართ. ლიტ-რისა და თეატრ. ხელოვნების საკითხებზე. წერდა საბავშვო ნაწარმოებებს. 1932 შეადგინა და გამოსცა ოსური ლიტ-რის პირველი ანთოლოგია ქართ. ენაზე.

თხზ.: გურანდა, თბ., 1963; კეთრი, თბ., 1965; ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1962. *ვ. ცისკარიძე.*

ᲙᲐᲡᲠᲘ, მარცვლეულისა და ღვინის საწყაო XVI—XVIII სს. იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლ-კახეთში. XVIII ს. აღმ. საქართველოში მარცვლეულის საწყაო Კ. იყო კოდის 1/2 ან 16,5 (17) *კგ*, ხოლო დას. საქართველოში ღვინის საწყაო Კ. — საშუალოდ 46 *ლ*. *გ. ჯაფარიძე.*

ᲙᲐᲡᲠᲘ, ისტორიული პუნქტი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. წყაროებში პირველად იხსენიება აღმ. კახეთში (*ჰერეთში*) ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით (VIII ს.). შემდგომში არჩილმა Კ. უბოძა ერთ-ერთ კლარჯ მთავარს. Კ-ის ეკლესია [ნანგრევები შემორჩენილია დაბა კახის (აზერბ. სსრ) ტერიტორიაზე] იხსენიება 1310. შესაძლებელია Კ. კახის უძველესი სახელწოდება იყოს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. *დ. მუსხელიშვილი.*

ᲙᲐᲡᲠᲘᲡᲡᲔᲠᲘ, მთა ერუშეთის ქედზე, მდ. ინჯასუსა (ურაველის მარჯვ. შენაკადი) და ქარჩამეთისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) სათავეებში, ასპინძის რ-ნისა და თურქეთის საზღვარზე. სიმაღლე 2945 *მ*. აგებულია ნეოგენური ანდეზიტ-დაციტური ლავით. შემოსილია ალპ. მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

ᲙᲐᲡᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘ (1966-მდე ᲔᲚᲓᲐᲠᲘ), სოფელი შირაქის ვაკეზე. სოფსაბჭო. ადმინისტრაციულად ექვემდებარება ახმეტის რაისაბჭოს. ზ. დ. 500 *მ*, ახმეტიდან 162 *კმ*, წითელი წყაროდან 45 *კმ* (ტერიტორიულად ამ რ-ნში მდებარეობს). ახმეტის რ-ნის სოფლების ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭ. მეურნეობების საზამთრო საძოვრების ცენტრალური დასახლება. საქ. სსრ მეცნ. აკად. ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტის საყრდენი პუნქტი. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

ᲙᲐᲡᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘ, კ ა ს ა რ ა, კლდეკარისებრი მონაკვეთი თრუსოს ხეობის ქვემო ნაწილში, ყაზბეგის რ-ნში. Კ. სოფ. კობიდან 5—6 *კმ* დაშორებით მდებარეობს. სიგრძე 2 *კმ*, ფსკერის აბსოლ. სიმაღლე 2100—2200 *მ*. წარმოიქმნა მეოთხეული პერიოდის ბოლოში, მცირე ხორისარის ვულკანის კრატერიდან ამონთხეული ლავური ღვარის ეროზიული გაჭრეხვის შედეგად. Კ-ში გამოდის უხვდებიტიანი მინერ. წყაროები და გროვდება ტრავერტინები. *ლ. მარუაშვილი.*

ᲙᲐᲡᲢᲐ (პორტუგ. casta — გვარი, თაობა; სანსკრიტული ეკვივალენტი—ჯატი). ადამიანთა კარჩაკეტილი ენდოგამური ჯგუფი, რ-ის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მემკვიდრეობით მიღებული პროფესიით.

Კ-ები წარმოიშვა შრომის საზ. განაწილებასთან დაკავშირებით. კასტური დაყოფის ნიშნები ამ თუ იმ ფორმით არსებობდა ძვ. და შუა საუკ. ბევრი სახელმწიფოს საზ. წყობილებაში (ძვ. ეგვიპტეში, ძვ. ირანში, ჩინეთში, იაპონიასა და სხვ.), მხოლოდ ინდოეთში გადაიქცა კასტური ორგანიზაცია ყოვლისმომცველ სოც. სისტემად. შუა საუკ. ინდოეთში Კ-ები საფუძვლად დაედო ფეოდ. საზ-ბის იერარქიულ სტრუქტურას. მან შეცვალა საზ-ბის *ვარნებად* დაყოფა (ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები, შუდრები). კასტური იერარქიის ზედა საფეხურზე იდგნენ სას. და საერო ფეოდალები (ბრაჰმანები, ქშატრიები), შემდეგ სრულუფლებიან მეთემეთა სამხ.-სამიწათმოქმედო (რაჯპუტები, ნაიარები, ჯატები და სხვ.) და ქალაქის სავაჭრო-სავაჭრო Კ-ები (ბანია, ჩეთი და სხვ.), უფრო დაბალ საფეხურზე—ხელოსანთა (ფეიქართა, მექოთნეთა..) და არასრულუფლებიან მეთემე მიწათმოქმედთა Კ-ები. უდაბლეს საფეხურზე იდგნენ ნახევარმონებისა და ნახევარყმების Კ-ები — ე. წ. „მიუკარებელნი". ამ უკანასკნელთ ეკრძალებოდათ მაღალი Კ-ის წარმომადგენლებთან ყოველგვარი ურთიერთობა. Კ-ებს ჰქონდათ თავიანთი მკაცრი წესდება, ჰყავდათ თავიანთი საბჭოები. კაპიტალ. ურთიერთობის განვითარების შედეგად კასტურმა დაყოფამ დაკარგა მნიშვნელობა, მაგრამ მათ გარკვეული როლი ითამაშეს ახლანდ. ინდ. საზ-ბის კლასების ჩამოყალიბებაში (მაგ., ინდ. ბურჟუაზია ძირითადად სავაჭრო-სავაჭრო Კ-ებიდან გამოვიდა; სოფლის ზედაფენა, ასევე მოხელეები და ინტელიგენცია — სამხ. სამიწათმოქმედო და ბრაჰმანთა Კ-ებიდან).

ინდ. რესპ. 1950 კონსტიტუციამ გამოაცხადა Კ-ების თანასწორუფლებიანობა, კასტობრივი დისკრიმინაცია კანონით (1955) აიკრძალა, მიუხედავად ამისა, კასტური იდეოლოგია და ტრადიციები, მავნე ჩვევები დღემდე შემორჩა. *ვ. დონაძე.*

ᲙᲐᲡᲢᲐᲚᲡᲙᲘ ალექსანდრე დიმიტრის ძე [16 (28). XI. 1856, მოსკოვი, — 17. XII. 1926, იქვე], საბჭ. კომპოზიტორი, საგუნდო ხელოვნების მოღვაწე, მუს. ფოლკლორისტი. 1893 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (სწავლობდა პ. ჩაიკოვსკისთან, ს. ტანეევსა და ნ. გუბერტთან). 1887-იდან მოსკ. სინოდალური სასწავლებლის (1918-იდან მოსკ. სახ. საგუნდო აკადემია) პედაგოგი, 1910-იდან — დირექტორი. 1922-იდან მოსკ. კონსერვ. პროფესორი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუს. საგუნდო სიმღერის განვითარებაში. Კ. მასობრივი რევ. სიმღერებისა და საბჭ. სინამდვილისადმი მიძღვნილი საგუნდო ნაწარმოებების ერთ-ერთი პირველი ავტორია. მას ეკუთვნის ნარკვევები რუს. ხალხ. შემოქმედებაზე.

ლიტ.: Статьи, воспоминания, материалы. [Сост. Д. В. Житомирский], М., 1960 (ბიბლიოგრ.).

ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲘᲔᲢᲔᲑᲘ (ესპ. castañetas< ლათ. castanea — წაბლი), ესპანეთში, სამხრ. იტალიასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გავრცელებული დასარტყამი მუსიკალური საკრავი. შედგება ნიკელის ფორმის ხის (ან პლასტმასის) 2 წყვილი ფირფიტისაგან. თითოეული წყვილი ᲜᲝᲜᲠᲘᲡ მარყუჟითაა შეერთებული. Კ-ის რიტმული დარტყმა ჩვეულებრივ ხალხ. სიმღერებსა და იკვეებს ახლავს. Კ. იმპარება აგრეთვე ორკესტრშიც.

ᲙᲐᲡᲢᲐᲜᲘᲝ (ა ნ დ რ ე ა დ ე ლ კ ა ს ტ ა ნ ი ო, Andrea del Castagno) (დაახლ. 1421, კასტანიო, ტოსკანა, — 19 VIII. 1457, ფლორენცია), იტალიელი ფერმწერი, ადრეული რენესანსის წარმომადგენელი. განიცადა მაზაჩოს, დონატელოს და პაოლო უჩელოს გავლენა. მუშაობდა ძირითადად ფლორენციაში, აგრეთვე ვენეციაში (1442) და შესაძლებელია რომში (1454). შეასრულა ფრესკები „9 სახელგანთქმული ადამიანის" გამოსახულებით (მათ შორის დანტეს, ბოკაჩოს, პეტრარკას, კონდოტიერ პიპო სპანოს და სხვ. პორტრეტები, 1445—57 შორის, სანტაპოლონიას მონასტერი, რ-იც Კ-ს მუზეუმად არის გადაქცეული. ფლორენცია). Კ-ს ფერწერას ახასიათებს ფორმების ენერგიული მოდელირება, დაძაბული დინამიკა (ფრესკები „სამება", სანტისიმა-ანუნციატას ეკლესია, ფლორენცია 1454—55, და „საიდუმლო სერობა", 1445—57 წწ. შორის, ახლა Კ-ს მუზეუმში).

ᲙᲐᲡᲢᲔᲚᲐᲛᲐᲠᲔ-ᲓᲘ-ᲡᲢᲐᲑᲘᲐ (Castellammare di Stabia). საკურორტო ქალაქი და ნავსადგური სამხრ. იტალიაში, კამპანიის ოლქში, ნეაპოლის პროვინციაში, ნეაპოლის ყურის (ტირენის ზღვა) ნაპირზე. 70,3 ათ. მცხ. (1969). გემთსაშენი, ფოლადის სხმულისა და ნაგლინის, სატრანსპ. მოწყობილობის ქ-ნები. ვაგონთმშენებლობა, ცემენტის მრეწველობა. ხილის კონსერვების, ზეითუნის ზეთის, ყველის დამზადება. ქალაქის მახლობლად არის ამერ. დიდი ნავთობგადასამუშ. ქ-ნა.

ᲙᲐᲡᲢᲔᲚᲐᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲛᲐᲜᲣᲤᲐᲥᲢᲣᲠᲐ, აბრეშუმსართავი საწარმო თბილისში, რ-იც გახსნა ფრანგმა ნეგოციანტმა კასტელამ (კასტელომ) (Castella, Castello). საწარმოს შედარებით იაფი ნახევარფაბრიკატი (ნართი) უნდა მიეწოდებინა მოსკ. და პეტერბ. საფეიქრო ფ-კებისათვის. ამასთან, კასტელა აცხადებდა, რომ იგი გაიჩაღებდა ირან.-თურქ., რუს. და ევრ. საქონლით ფართო ვაჭრობას და მსოფლიო კომერც. ოპერაციების ცენტრი გახდებოდა თბილისი.

კასტელამ თავის ოპერაციებში ჩააბა იმპერიის ადგილ. ცენტრ. ხელისუფლების წარმომადგენლები; მიიღო პირველი გილდიის ვაჭრის წოდება და დიდძალი თანხა, როგორც სახელმწ. ხაზინისაგან, ისე კერძო პირთაგან. მან ჩამოიყვანა ფრანგი სპეციალისტები, დაიქირავა ადგილ. მუშები, დაიწყო იაფი მუშახელის — სამხ. ტყეებისა და პატიმარი ქალების ექსპლუატაცია და მოსახლეობისაგან ღალისა და სხვ. გადასახადების სახით მიღებული აბრეშუმის პარკისაგან ნართის ამოხვევა. მაგრამ კასტელა მალე გარდაიცვალა (1828) და „ბრწყინვალედ დაწყებული საქმეც" ჩაიშალა. მთავრობის კომისიამ დაადგინა, რომ მობილიზებული ფულის დაახლ. 80% კასტელას არადანიშნულებისამებრ გამოუყენებია. ამიერიდან მთავრობამ თვით მოჰკიდა ხელი აბრეშუმმაფსართავ წარმოებას, წესრიგში მოიყვანა მახანა-იარაღები, გაწყობილობანი და ამ სახით შეიქმნა „სახაზინო სასწავლო აბრეშუმსართავი საწარმო", რ-ის მთავარი დანიშნულება იყო ამიერკავკასიაში გაუმჯობესებული წარმოების აბრეშუმის ნართის გავრცელება. ამ ე. წ. „სახელმწიფო მანუფაქტურამ" დიდხანს ვერ იარსება, 1844 იგი დაიხურა როგორც წამგებიანი.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., მანუფაქტუ-

რული წარმოების ისტორიისათვის ამიერკავკასიაში, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1938, ნაკვ. 3; მ ი ს ი ვ ე, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941; მ ი ს ი ვ ე, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., т. 1, Тб., 1957.

კასტელი დონ კრისტოფორო დე (XVII ს. I ნახ. და შუა წლები), იტალიელი მისიონერი, პატრი, *თეატინელთა* ორდენის წევრი. საქართველოში ჩამოვიდა 1628 პატრ ანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად. მისიონერები მივიდნენ ქ. გორს თეიმურაზ I-თან. 1634 შემოქმედელი ეპისკოპოსის მაქსიმე მაჭუტაძის მიწვევით ჯურიაში გადავიდნენ. 1640 კი, ვახტანგ II გურიელისაგან დევნილნი—ოდიშში. კ. საქართველოში ჩანს 1652-შიც, შემდეგ იტალიაში დაბრუნდა. საქართველოში ყოფნის დროს მან მრავალი საყურადღებო ჩანახატი (2 ალბომი) გააკეთა. ერთი ალბომი კ-ს იტალიაში დაბრუნებისას დაიღუპა, მე-2 კი დაცულია ქ. პალერმოს კომუნალურ ბ-კაში და 500-ზე მეტ ჩანახატს შეიცავს. ამ ჩანახატების ნაწილი გამოაქვეყნა მ. *თამარაშვილმა*. მანვე ჩამოიტანა საქართველოში ჩანახატების ნაწილის ფოტოპირები. 1977 კ-ს ალბომი წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. გიორგაძემ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ). კ-ს რელაცია, ჩანახატები და მათზე მინაწერები ძვირფას ცნობებს იძლევა XVII ს. საქართვ. პოლიტ. და ეკონ. ისტორიისათვის.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკოპისა ქართველთა შორის.., ტფ., 1902. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

კასტელიონ-დე-ლა-პლანა (Castellón de la Plana), ქალაქი ესპანეთში, ვალენსიის ოლქში. კასტელიონის პროვ. ადმ. ცენტრი. 85 ათ. მცხ. (1970). სარწყავი სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ციტრუსები) ცენტრი. ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება, საფეიქრო, ცემენტისა და ქიმ. მრეწველობა. ნავთობგადამუშავებისა და ნავთობქიმიის ახ. ცენტრი.

კასტილია (Castilla < castello— ციხე-დარბაზი, კ.—ციხე-დარბაზების ქვეყანა), ფეოდალური სახელმწიფო პირენეს ნ.-კ-ის ცენტრ. ნაწილში XI—XV სს-ში. 923-იდან *ლეონის* სამეფოში შემავალი საგრაფო, 1035-იდან—სამეფო (დედაქალაქი — ბურგოსი). შემდგომში რამდენჯერმე გაერთიანდა ლეონის სამეფოსთან (1037—65, 1072—1157, საბოლოოდ 1230) და გახდა პირენეს ნ.-კ-ის უძლიერესი სახელმწიფო (გაერთ. სამეფოს დედაქალაქი — ტოლედო). კ-მ წამყვანი როლი ითამაშა *რეკონკისტაში*, არაბებთან ბრძოლაში განავრცო თავისი ტერიტ. სამხრ. სანაპირომდე (1262 კადისი დაიპყრო). რეკონკისტაში გლეხობის ჩაბმისათვის საგლეხო თემებს, აგრეთვე ქ-ებს მიენიჭათ თავისუფლებანი (*ფუეროსი*); XIII ს-იდან ქ-ებმა კორტესში მონაწილეობის უფლება მიიღეს. XV ს. უკანასკნელ მეოთხედში კ-სა და არაგონის სამეფოს შორის დადებულმა უნიამ დასაბამი მისცა ესპანეთის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებას.

კასტილიის ზეგანი, იხ. *მესეტა*.

კასტილიის მთები, იხ. *ცენტრალური კორდილიერა*.

კასტილიონე (Castiglione) ბალდასარე (6. XII. 1478, კაზატიკო, მანტუის ახლოს, — 2. II. 1529, ტოლედო, ესპანეთი), იტალიელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. გრაფი. მიიღო კლასიკური განათლება. წერდა ეკლოგებს („ტირსი", 1506), ლექსებსა და პოემებს იტალ. და ლათ. ენებზე. ეპოქის ჩინებული სურათი წარმოადგინა დიალოგის ფორმით დაწერილ თხზულებაში „კარისკაცი" (წგნ. 1—4, 1528); ეს თავისებური სარაინდო კოდექსი გახმაურდა XVI—XVII სს. მთელს ევროპაში, მას მხატვრულ ლიტ-რაშიც ჰქონდა გამოძახილი. კ. თავისი დროის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი პორტრეტი შექმნა რაფაელმა; პ. ბემბომ შეთხზა მისი ეპიტაფია.

თხზ.: Opere, a cura di C. Cordié, Mil.—Napoli, [1960].

ლიტ.: Д е С а н к т и с Ф., История итальянской литературы, пер. с итал., т. 2, М., 1964.

კასტილიონეს ბრძოლა, ბონაპარტის იტალიაში ლაშქრობის (1796—97) დროს ქ. კასტილიონეს რ-ნში (ჩრდ. იტალია) 1796 წ. 5 აგვ. გენ. ნ. ბონაპარტის ჯარებსა და ფელდმარშალ დ. ვურმზერის ავსტრ. არმიას შორის გამართული ბრძოლა. ივლ. ბოლოს ავსტრ. ჯარები (42 ათ. კაცი) ტიროლიდან დაიძრნენ. ბონაპარტმა თავის ჯარებს (30 ათ. კაცი) მდ. მინჩოს დას-ით მოუყარა თავი. 31 ივლ.—3 აგვ. მან ბრეშის აღმ-ით დაამარცხა ავსტრ. არმიის ნაწილები, 5 აგვ. კი — მთავარი ძალები, რებიც კასტილიონეს უტევდნენ.

კასტლერი (Kastler) ალფრედ (დ. 3. V. 1902, გებვილერი), ფრანგი ფიზიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1964). დაამთავრა უმაღლესი ნორმალური სკოლა პარიზში (1924). 1941-იდან უმაღლესი ნორმალური სკოლის პროფესორი, 1945-იდან პროფესორი სორბონში. 1958-იდან ატომური საათის ლაბორ. დირექტორი, 1968-იდან ეროვნ. სამეცნ. ცენტრის დირექტორი კვლევითს მუშაობაში. 1930—50 იკვლევდა აირებსა და კრისტალებში ფლუორესცენციას, აგრეთვე კომბინაციურ გაბნევას. 1950 ჟ. ბროსელთან ერთად თავის მიერ შექმნილი ოპტ. დაჭირხნის მეთოდის გამოყენებით აღმოაჩინა რადიოსიხშირეთა არეში *მაგნიტური რეზონანსის* მოვლენა. ნობელის პრემია (1966).

კასტორი, α მ ა რ ჩ ბ ი ვ ი ს ა, *მარჩბივის* თანავარსკვლავედის 1,6 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდის* ვარსკვლავი; ნათობა 34-ჯერ მეტია მზისაზე, მანძილი მზიდან — 14 *პს*. წარმოადგენს 4 ვარსკვლავის სისტემას, რ-იც დიდი სიმჭიდროვის გამო შეუიარაღებელი თვალისთვის ერთ ვარსკვლავად აღიქმება. კ. ერქვა ძვ. ბერძნ. მითოლოგიაში ცნობილ ტყუპ ძმათაგან—დიოსკურთაგან — ერთ-ერთს. აქედან მოდის ვარსკვლავის სახელწოდებაც.

კასტრატი მომღერლები (იტალ. castrati<ლათ. castro—ვასაჭურისებ), XVI—XVIII სს. იტალიელი მომღერლების განსაკუთრებული კატეგორია (სოპრანისტებსაც უწოდებდნენ). ბავშვობაში დასაჭურისებული მამაკაცები ინარჩუნებდნენ ბავშვურ ხმას (სოპრანო ან მეცო-სოპრანო) და შეეძლოთ რთული, პ. შ. ქალის პარტიების შესრულება.

XVI ს. კათოლ. გალობაში ქალთა მონაწილეობის აკრძალვის გამო ფართოდ გავრცელდა კ. მ-ის სიმღერა. XVII—XVIII სს-ში დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს იტალ. ოპერაში.

კასტრაცია (ლათ. castratio — დაკოდვა), დ ა ს ა ჭ უ რ ი ს ე ბ ა, ადამიანისა და ცხოველების სასქესო ჯირკვლების ხელოვნურად ამოცლა. ბევრი უხერხემლო ცხოველის კ. არ იწვევს ორგანიზმის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რადგან მათი სასქესო ჯირკვლები არ არის დაკავშირებული შინაგან სეკრეციასთან. თევზებს, ამფიბიებს, ფრინველებს და ძუძუმწოვრებს, კ-ის შედეგად უქრებათ ან აღარ უვითარდებათ მეორეული სასქესო ნიშნები. ძუძუმწოვრების კ-ის შედეგად ბრკოლდება ძვლების, ძირითადად კიდურების ზრდა, ქრება ან აღარ ვითარდება მეორეული სასქესო ნიშნები, ჭარბად გროვდება ცხიმი. ა დ ა მ ი ა ნ ი ს კ-ს სამკურნ. მიზნით მიმართავენ სასქესო ჯირკვლებისა (ავთვისებიანი სიმსივნე, ტრავმული დაზიანება და სხვ.) და ზოგიერთი სხვა ორგანოს დაავადების (მაგ., ქალის სარძევე ჯირკვლის კიბო) შემთხვევაში. კ-ის დროს ქალისა და მამაკაცის სასქესო ჯირკვლებს მთლიანად იღებენ ან ჯირკვლების ფუნქციას თიშავენ, რისთვისაც სასქესო ჯირკვლებში შეჰყავთ პიპოფიზის ჰონადოტროპული ფუნქციის დამთრგუნავი ჰორმონები (ან მათი შემცვლელები); ზოგჯერ მიმართავენ მაიონიზებელ გამოსხივებას. კ-ით გამოწვეული ცვლილებები მით უფრო მკაფიოდაა გამოხატული, რაც უფრო ადრეულ ასაკში კეთდება კ. მომწიფების პერიოდამდე კ. იწვევს *ევნუქოიდიზმს*, ზრდადასრულებულ ან მოწიფულ ასაკში — ნივთიერებათა ცვლის მოშლას, ფსიქიკის დარღვევას და სხვ.; სქესობრივ ლტოლვასა და პოტენციას კასტრირებული ადამიანი ზოგჯერ დიდხანს ინარჩუნებს.

ც ხ ო ვ ე ლ ი ს კ. უმთავრესად ტარდება ეკონ., იშვიათად სამკურნ. მიზნით (სასქესო ჯირკვლებზე ახალწარმონაქმნის გაჩენისას, სათესლეების ტრავმის დროს და სხვ.), ძირითადად ქირურგ. მეთოდით. კასტრირებული ცხოველი მშვიდია, კარგად სუქდება, მის ხორცს არა აქვს უსიამოვნო სპეც. სუნი, გემრიელი და ნოყიერია.

კაცობრიობის ისტორიაში ადამიანს კ-ს ხშირად ჩაგვრისა და დამცირების საშუალებად იყენებდნენ, ასაჭურისებდნენ ტყვეებს, მონებს ჰარამხანის მომსახურებისათვის და სხვ. შუა საუკუნეებში ასაჭურისებდნენ საეკლ. კაპელის მომღერალ ბიჭებს, რათა მათთვის მაღალი ხმა შეენარჩუნებინათ (იხ. *კასტრატი მომღერლები*). კ. (თვითკასტრაცია) ცნობილია რელიგიის ისტორიაშიც (იხ. *საჭურისი*).

კ. სასჯელის ღონისძიებაც იყო და ძველთაგანვე იყენებდნენ როგორც სხეულებრივ, ასოთდაშავებით სასჯელს. ევროპაში უკვე X ს-ში იხსენიება განსაკუთრებული თანამდებობის პირი, რ-საც დასაჭურისება ევალებოდა. კ. ცნობილია ზოგიერთი კაპიტალ. სახელმწიფოს სისხლის სამართალშიც. კ-ს მიმართავდნენ ფაშისტურ გერმანიაშიც.

ძვ. საქართველოში დასაჭურისებას „გამოყვერვა" ეწოდებოდა. იგი იშვიათი სასჯელი იყო — ასაჭურისებდნენ მხოლოდ მოლალატე უფლისწულს, რათა საჭურისი ველარც ტახტზე ასულიყო და ალარც მემკვიდრე ჰყოლოდა.

კასტრაცია მ ც ე ნ ა რ ი ს ა, ორსქესიანი ყვავილიდან ჯერ კიდევ მოუმწიფებელი სამტვრეების მოცილება თვითდამტვერვის თავიდან ასაცილებლად. მცენარეთა შეჯვარებისას ამ ხერხს ისეთ კულტურებზე იყენებენ, რ-ებსაც თვითდამტვერვისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ. სამტვრეებს აცილებენ პინცეტით, ზოგჯერ სპეც. ნემსით ან პატარა დანით. როგორც წესი, კ. ხდება კოკრობის პერიოდში, კერძოდ, 1—2 დღით ადრე, სანამ მტვერი და ბუტკოს დინგი მზად იქნება დამტვერვისათვის. იხ. აგრეთვე *პიბრიდიზაცია*.

კასტრო (Castro) ერნესტო ლ. (დ. 1902, ბუენოს-აირესი), არგენტინელი მწერალი. მისი მოთხრობების პირველი კრებულებია „ჩრდილთა შორის" (1928) და „დაღუპული სულები" (1933). 30-იან წლებში წერდა პიესებს სახ. თეატრებისათვის. დიდი გამოხმაურება ჰქონდა კ-ს რომანს „კუნძულელები" (1943, არგენტ. პენ-კლუბის პირველი პრემია), რ-შიც ასახავს მიწის მუშებისა და მეთევზეების მძიმე ცხოვრებას. ეროვნ. თემის ღრმად გააზრება ჩანს რომანებში „მიწის სიღრმიდან" (1947) და „მოხნული მინდორი" (1953). წარმატებით იდგმებოდა კ-ს პიესები „განდევნილნი" (1941), „ერთ ადგილას" (1941) და სხვ.

კასტროპ-რაუქსელი (Castrop-Rauxel), ქალაქი გფრ-ში, ჩრდ. რაინ-ვესტფალიის მხარეში, დორტმუნდის მახლობლად. 84 ათ. მცხ. (1970). სამდ. ნავსადგური რაინ-ჰერნეს არხზე. რურის ქვანახშირის აუზის ერთ-ერთი ცენტრი. ქვანახშირის მოპოვება. ქიმ. (აზოტის წარმოება), ნავთობქიმ., ცემენტის მრეწველობა. მილებისა და ლითონნაკეთობათა დამზადება.

კასტრო რუსი (Castro Ruz) რაულ (დ. 3. VI. 1931, ბირანი, ორიენტეს პროვინცია), კუბის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამ-

დონ კრისტოფორო დე კასტელი. ავტოპორტრეტი.

კ ა ს ტ ე ლ ი. მისიონერების მსახური ელუკა ბერია.

კ ა ს ტ ე ლ ი. ქართველი მხატვარი ქალი.

ფ. კასტრო რუსი.

კავკასიური ტყის კატა (Felis silvestris caucasicus).

სამგურნალო კატაბალახა: ა—მცენარის ზედა ნაწილი; ბ—ფესურა ფესვებით; გ—ყვავილი; დ—ნაყოფი.

ჩვეულებრივი კატაბარდა: ა—ყვავილებიანი ტოტი; ბ—ყვავილის სიგრძივი ჭრილი; გ—ნაყოფი.

ხედრო მოღვაწე. ფ. კასტროს ძმა. ჭაბუკობიდან მონაწილეობდა რევ. მოძრაობაში. მონკადის ყაზარმაზე თავდასხმაში (1953 წ. 26 ივლ.) მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. 1955 ემიგრაციაში იყო მექსიკაში. ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ რევ. ომის დროს მეთაურობდა მე-2 პარტიზ. კოლონას. რევ. გამარჯვების შემდეგ (1959 იანვ.) ხელმძღვანელობდა ორიენტეს პროვ. სამოქალაქო და სამხ. ადმინისტრაციას. იმავე წლიდან კუბის რევ. შეიარაღებული ჯარების მინისტრია. იყო გაერთ. რევ. ორგანიზაციების, ხოლო შემდეგ სოციალ. რევ. ერთიანი პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1965 ოქტ -იდან კუბის კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე (1962-იდან). *გ. ბოლოთაშვილი.*

კასტრო რუსი (Castro Ruz) ფიდელ (დ. 13.VIII. 1927, ბირანი, ორიენტეს პროვინცია), კუბის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. დაიბადა მდიდარი მიწათმფლობელის ოჯახში. 1949 დაამთავრა ჰავანის უნ-ტის იურიდ. ფაკტი, მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი. ერთხანს მუშაობდა ადვოკატად. 50-იანი წლების დასაწყისში შეუიდა კუბელი ხალხის პარტიაში („ორთოდოქსები"), რ-მაც იგი წამოაყენა კუბის ეროვნ. კონგრესის დეპუტატობის კანდიდატად. კ. რ-მა შეძლო გაეერთიანებინა „ორთოდოქსების" უკვე დაშლილი პარტიის ყოფილი წევრების მცირე ჯგუფი და 1953 წ. 26 ივლ. მოაწყო თავდასხმა ქ. სანტიაგო-დე-კუბაში მდებარე მონკადის ყაზარმაზე. ოპერაცია მარცხით დამთავრდა. სასამართლო ტრიბუნალის სხდომაზე კ. რ-მა წარმოთქვა სიტყვა (ცნობილია სახელწოდებით „ისტორია მე გამამართლებს"), რ-შიც მოცემულია ბატისტას რეჟიმის გამანადგურებელი კრიტიკა და მომავალი რევ. ბრძოლის პროგრამა. კ. რ-ს მიუსაჯეს 15 წლით პატიმრობა, მაგრამ 1955 მაისში ამნისტიით გაათავისუფლეს და მექსიკაში წავიდა. 1956 დეკ-ში 82 რევოლუციონერი კ. რ-ის მეთაურობით იახტა „გრანმით" ორიენტეს პროვინციაში გადავიდა და შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ბატისტას რეჟიმის წინააღმდეგ. რევ. გამარჯვების შემდეგ (1959 წ. 1 იანვარი) კ. რ. გახდა კუბის რესპ. რევ. მთავრობის პრემიერ-მინისტრი (1959 თებ.). 1961 წ. 16 აპრ. კ. რ-მა განაცხადა, რომ კუბის რევოლუცია თავისი ხასიათით სოციალ. რევოლუციაა. 1961 აპრ. ხელმძღვანელობდა პლაია-ხირონის რ-ნში აშშ-ის იმპერიალიზმის დაქირავებულ ინტერვენტთა განადგურების ოპერაციას. კ. რ. იყო გაერთ. რევ. ორგანიზაციების ეროვნ. ხელმძღვანელობის, ხოლო შემდეგ სოციალ. რევ. ერთიანი პარტიის პირველი მდივანი. 1965 ოქტ-იდან კუბის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი. ამ პოსტზე იგი ხელახლა აირჩიეს 1975 დეკ. კუბის კომპარტიის I ყრილობაზე. 1976-იდან კ. რ. არის კუბის რესპ. სახელმწ. საბჭოს თავ-რე და მინისტრთა საბჭოს თავ-რე. კ. რ. არის მოსკ. უნ-ტის იურიდ. მეცნ. საპატიო დოქტორი (1963), „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1961), საბჭ. კავშირის გმირი (1963). დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

თხზ.: Речи и выступления, М., 1960; Пусть вечно живет бессмертный Ленин!, М., 1970; Сила революции в единстве, М., 1972.

ლიტ.: Монкада — набат революции, М., 1974. *გ. ბოლოთაშვილი.*

კასტრუ ალვიში (Castro Alves) ანტონიუ (14. III. 1847, კაბასეირასი, კუროლინიუს ახლოს, — 6. VII. 1871, ბაია), ბრაზილიელი პოეტი. რომანტიკოსი. ეკუთვნოდა ე. წ. კონდორის სკოლას. მისი რევ. და რესპ. იდეები აისახა დრამაში „გონზაგა ანუ მინასის რევოლუცია" (1867, გამოქვეყნდა 1875), ლექსების კრებულში „ფურთუნი ტალღებზე" (1870). აბოლიციონისტური იდეებითაა გამსჭვალული მისი კრებ. „მონები" (1883), პოემები „აფრიკის კვნესა" (1868), „დამონებული გემი" (1869). კ. ა-ის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის ევრ. რევ. რომანტ. პოეზიისა და ეროვნ. ფოლკლორის ტრადიციები.

კასუგაი, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, აიტის პრეფექტურაში. 194 ათ. მცხ. (1973). ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი. ელექტროტექ. მრეწვ. საწარმოები.

კასუმლო, სოფელი მარნეულის რ-ნში, მარნეულის ვაკის სამხრ. ნაწილში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., აღამედლი, ბაითალო, ბეითარაფჩი, კუშჩი, ულაშლო). ზ. დ. 400 *მ*, მარნეულიდან 30 *კმ*. მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კასური, ქალაქი პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში. 103 ათ. მცხ. (1972). სარკინიგზო კვანძი. მატყლით ვაჭრობის დიდი ცენტრი. ტყავის, ბამბეულის, ერბოკარაქის მრეწველობა.

კატა (Felis), მტაცებელი ძუძუმწოვრების გვარი კატისებრთა ოჯახისა. ტანად პატარა (ტყის, ველის კ.) ან საშ. და მოზრდილი (ფოცხვერი, პუმა) ცხოველებია. აქვთ ვერტ. გუგა, ჩამალული ბრჭყალები. გავრცელებული არიან მთელ მსოფლიოში, ავსტრალიისა და მადაგასკარის გარდა. კ. აერთიანებს 29 სახეობას, რ-თაგან სსრკ-ში გვხვდება 8, საქართველოში — 4. იკვებებიან წვრილი ხერხემლიანებით, ზოგჯერ თავს ესხმიან ირემსაც. ერთგვარ ზიანს აყენებენ სანადირო მეურნეობას და მესაქონლეობას. სარეწაო მნიშვნელობა მცირეა.

კატაბალახა (Valeriana), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი კატაბალახასებრთა ოჯახისა. გვარში 200-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია მთელ ევრაზიაში, სამხრ. ამერ. ანდებსა და ჩრდ. ამერ. ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში 30-მდე სახეობა იზრდება, საქართველოში — 10, (მათგან 2 კავკასიის ენდემია). ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო კ. (V. officinalis) ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა. 1,5 *მ*-მდე სიმაღლის ვარდისფერყვავილებიანი ბალახია. იზრდება მთელ სსრკ-ში უდაბნოსა და უკიდურესი ჩრდილოეთის გარდა. ბევრია საქართვ. ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. ფესურა და ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთს, ვალერიანის მჟავას, ძმარმჟავას და ჭიანჭველმჟავას, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს. საქართველოში იზრდება აგრეთვე კ ო ლ ხ უ რ ი კ. (V. colchica), რ-იც ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთს და ვალერიანის მჟავას.

კ-ს პრეპარატებს (ექსტრაქტი, ნაყენი სპირტსა და ეთერზე) იყენებენ ნერვული აგზნების, უძილობის, გულსისხლძარღვთა სისტემის ნევროზის დროს და სხვ. კავკასიაში, უკრაინასა და ზოგ სხვა რ-ნში ველური კ-ის ფესვებს და ფესურებს იყენებენ, სხვაგან კი კ. კულტივირებულია.

კატაბალახასებრნი (Valerianaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახები, იშვიათად ბუჩქბალახები და ბუჩქებია. აქვთ მოპირისპირედ განწყობილი მთლიანი ან დანაწევრებული უთანაფოთლო ფოთლები და რთულ ყვავილედებად თავმოყრილი ორსქესიანი ან ერთსქესიანი ყვავილები, 4, ზოგჯერ 3—1 მტვრიანა. გინეცეუმი 3 ნაყოფის ფოთლისაგან შედგება, მათგან 2 განუვითარებელია. ნასკვი ქვედაა. ნაყოფს აქვს საფრენი. ოჯახი აერთიანებს 13 გვარის 400 სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ამერ., ევრაზიის და აფრ. ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში ამ ოჯახის 5 გვარის 70-ზე მეტი სახეობა იზრდება, საქართველოში — 3 გვარის 21 სახეობა. მნიშვნელოვანი გვარებია *კატაბალახა*, ვალერიანელა და კენტრანტუსი.

კატაბარდა (Clematis), მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახები ან ხვიარა, მცოცავი და სწორღეროიანი მერქნიანი მცენარეებია. მოიცავს 250-ზე მეტ სახეობას. გავრცელებულია ზომიერ და თბილ რ-ნებში. სსრკ-ში 18 სახეობა იზრდება, საქართველოში—5; მათგან ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი კ. (C. vitalba) ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხვიარა ბუჩქია. აქვს წიბოებიანი ღერო და სურნელოვანი მოყვითალო ყვავილები. ხარობს ყირიმსა და კავკასიაში; საქართველოში იზრდება კოლხეთის ტყეებსა და ალმ. საქართველოს ჭალისა და ეაკეთა ტენიან ტყეებში. ღერო და ფოთოლი შეიცავს ალკალოიდ კლემატინს. ნორჩი ყლორტებისაგან ამზადებენ მხალს (გემოთი სატაცურს მოგვაგონებს). კ-ს ბევრი სახეობა დეკორატიულია.

კატაბოლიზმი (<ბერძ. katabole — ჩამოყრა, დანგრევა), ანაბოლიზმის საწინააღმდეგო ქიმიური პროცესების ერთობლიობა ნივთიერებათა ცვლაში. კ-ის დროს მიმდინარეობს იმ რთული ნაერთების დაშლა, რ-ებიც შედიან ორგანოთა და ქსოვილთა შედგენილობაში როგორც სტრუქტურული ელემენტები (ცილები, ნუკლეინის მჟავები, ფოსფოლიპიდები და სხვ.) ან სამარაგო ნივთიერებები (ცხიმები, გლიკოგენი, სახამებელი და სხვ.). კ-ის შედეგად წარმოქმნილი ნივთიერებები სხვა ნივთიერებათა ბიოსინთეზისათვის გამოიყენება, ან ორგანიზმიდან გარეთ გამოიყოფა (იხ. *დისიმილაცია*).

კატაგენეზი (ბიოლ.), ევოლუციური პროცესის მიმართულება; ორგანიზმთა რეგრესული განვითარება, რ-იც ხშირად ვლინდება *კატამორფოზსა* და *დეგენერაციაში*. ტერმინი იხმარება კატამორფოზის სინონიმადაც.

კატაევი ვალენტინ პეტრეს ძე [დ. 16 (28). I. 1897, ოდესა], რუსი საბჭ. მწერალი. სოციალისტური შრომის გმირი (1974). სკკპ წევრი 1958-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1910-იდან. მის ადრეულ მოთხრობებში გამოიკვეთა 2 მიმართულება — სატირული („გამფლანგველები", 1926; იმავე სახელწ. პიესა, 1928) და ჰეროიკულ-პათეტიკური [რომანი „დროვ, წინ!"(1932), მოთხრობები „მე მშრომელი ხალხის შვილი ვარ" (1937), „პოლკის შვილი" (1945; სსრკ სახელმწ. პრემია,1946; ამავე სახელწ. ფილმი, 1946]. სახელი გაუთქვა ტტრალოგიის „შავი ზღვის ტალღების" პირველმა ნაწილმა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული" (1936; ამავე სახელწ. ფილმი, 1937), რ-საც მოგვიანებით მოჰყვა შემდგომი ნაწილები: „ხუტორი სტეპში" (1956), „ზამთრის ქარი" (1960—61), „საბჭოების ძალაუფლებისათვის" (I ვარიანტი 1948, II — 1951; ამავე სახელწ. ფილმი, 1956, წიგნის სხვა სახელწ. „კატაკომბები"). ავტორია მემუარული მოთხრობებისა „წყარო უკვდავებისა" (1967; ქართ. თარგმანი 1975), „დავიწყების წამალი" (1967), „კუბიკი" (1969), „ჩემი ალმასის გვირგვინი" (1978). გონკურების აკად. წ.-კორ. (1976). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Собр. соч., т. 1—9, М., 1968—72; შავი ზღვის ტალღები, [ტ] 1 — თეთრად ფრიალებს აფრა ეული, თბ., 1963; [ტ.] 2 — ხუტორი ველზე, თბ., 1965. *გ. გვენეტაძე.*

კატავ-ივანოვსკი, ქალაქი (1939-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, მდ. კატავის (უფის აუზი) ნაპირზე. სარკინიგზო ტოტის (36 *კმ*) ბოლო სადგური უფა—ჩელიაბინსკის ხაზზე. ცემენტისა და სამსხმელო-მექან. ქ-ნები, ხე-ტყის მრეწველობა. მექან. ტექნიკუმი. კ.-ი. დაარსდა XVIII ს. შუა წლებში.

კატაპამა სენ (3. XII. 1859, სოფ. ჰადეგი, მიმასაკის პროვინცია, — 5. XI. 1933, მოსკოვი), იაპონიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. იელის უნ-ტის (აშშ) დამთავრების (1895) შემდეგ,

1896 დაბრუნდა იაპონიაში და აქტიურად ჩაება სოციალ. და მუშათა მოძრაობის ორგანიზაციაში. 1900 დაუსწრებლად აირჩიეს II ინტერნაციონალის აღმასკომის ბიუროს წევრად. 1914 პოლიციის რეპრესიების გამო აშშ-ში წავიდა, სადაც მიემხრო ამერ. სოციალ. მოძრაობას, ო[illegible]ასრა იაპ. მუშების პირველი კომუნისტური ჯგუფები აშშ-ში (1918). 1920 იაპ. ენაზე თარგმნა ვ. ი. ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია". პოლიციის დევნის გამო 1921 მექსიკაში წავიდა, იქიდან — საბჭ. რუსეთში. 1922 აირჩიეს კომინტერნის აღმასკომის წევრად, შემდეგ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. კ. იყო იაპ. კომპარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი (1922). მონაწილეობდა ბრიუსელისა (1927) და მაინის ფრანკფურტის (1929) ანტიიმპერიალ. კონგრესებში. ასევე ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო კონგრესში (1932). დასაფლავებულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

კატაკი, ქალაქი ინდოეთში, ორისის შტატში, მაჰანადის დელტაში. 194 ათ. მცხ. (1971). სატრანსპ. კვანძი. შტატის სავაჭრო-სამრეწვ. ცენტრი. საფეიქრო, კვების, ლითონდასამუშ., ხის დასამუშ. მრეწველობა. ცნობილია ვერცხლისა და ოქროს მხატვრული ფილიგრანული ნაკეთობების დამზადებით. უნ-ტი. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი.

კატაკლაზი (<ბერძნ. kataklaō — ვანგრევ), ქანის დამსხვრევა დისლოკაციური მეტამორფიზმის დროს. კ. იწვევს მინერალების სტრუქტურის დეფორმაციას — წარმოიქმნება ცოცვითი მრჩობლები; იცვლება მარცვლების ფორმა და ზომა. კ-ის დროს ქანების მინერ. და ქიმ. ცვლილება უმნიშვნელოა.

კატაკომბა (იტალ. catacomba<გვიანდ. ლათ. catacumba— მიწისქვეშა აკლდამა), ბუნებრივი ან ხელოვნური მიწისქვეშა სათავსები, რ-ებსაც ძველად რელიგიური წეს-ჩვეულებების შესასრულებლად და მიცვალებულთა დასამარხავად იყენებდნენ. ცნობილია რომის მიდამოების, ნეაპოლის, აგრეთვე სიცილიისა და მალტის, ეგვ. (ალექსანდრია), ჩრდ. აფრიკის, წინა და მცირე აზიის, ბალკ. და სხვ. კ-ები. ყველაზე დიდია რომის კ-ები (განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ ადრინდ. ქრისტ. თემები II—IV სს-ში), ვიწრო გალერეებითა და პატარ-პატარა სათავსებით დაქსელილი ლაბირინთები. ზოგი მათგანი შემკული იყო გვიანდ. ანტიკური და ადრინდ. ფეოდ. ხანის მდიდრული მოხატულობით.

კატაკომბური კულტურა, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო ჩრდ. შავიზღვისპირეთსა და ქვემო ვოლგისპირეთში ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარსა და III მეოთხედში. გამოჰყო ვ. გოროდცოვმა XX ს. დასაწყისში. კ. კ-ის ტომები გენეტიკურად დაკავშირებული იყვნენ ძვ. წ. III ათასწლეულში ამავე ტერიტორიაზე მოსახლე ორმოსამარხების კულტურის ტომებთან. კ. კ-თვის დამახასიათებელია საგვარეულო სამოსახლოები და გორასამარხები (მარხავდნენ ხელფეხმოკეცილს, გვერდზე, აყრიდნენ წითელ ოხრას). აღმოჩენილია გრეხილორნამენტიანი თიხის ჭურჭელი, ქვისა და ბრინჯაოს იარაღი, ძვლისა და ბრინჯაოს სამკაული. მოსახლ. მისდევდა მეცხოველეობას და მიწათმოქმედებას. იცოდა სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავება. ეწეოდა გაცვლა-გამოცვლას მეზობელ ტომებთან, განსაკუთრებით კავკასიელებთან და მათი საშუალებით წინა აზიასთან, ირანსა და ეგვიპტესთან. კ. კ-ის ტომებში მატრიარქატი შეიცვალა პატრიარქატით, შეიმჩნევა ქონებრივი დიფერენციაციის ნიშნები (ტომის ბელადთა და უხუცესთა სამარხები გამოირჩევა შედარებით მდიდარი ინვენტარით). ძვ. წ. II ათასწლ. III მეოთხედის ბოლოს კ. კ-ის ტომები გამოდევნეს ვოლგის შუა რ-ებიდან მოსულმა ტომებმა.

კატალაზა (ბერძნ. katalyō—ვანგრევ), ფერმენტი ჰიდროპეროქსიდაზების ჯგუფისა. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის კატალიზატორია, რ-ის დროსაც 2 მოლეკულა წყალბადის ზეჟანგისაგან წარმოიქმნება



კატაკომბა. პეტრესა და მარცელინუსის კატაკომბების ერთ-ერთი სათავსი. რომი. ახ. წ. III ს. ე. წ. „მადონას კრიპტა".

წყალი და ჟანგბადი: $2H_2O_2 \xrightarrow{\text{კატალაზა}} 2H_2O+O_2$.

კ. ფართოდაა გავრცელებული მცენარეებში, ცხოველებში, მიკროორგანიზმებში. მისი ფუნქციაა ტოქსიკური წყალბადის ზეჟანგის დაშლა, რ-იც ორგანიზმში სხვადასხვა ჟანგვითი პროცესის მსვლელობისას წარმოიქმნება.

კატალანური ენა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანული ჯგუფის ენა. გავრცელებულია საფრანგეთში, ანდორაში, ესპანეთსა და ბალეარის კ-ებზე. კ. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 5 მლნ. კაცი (1967, შეფასება). დიალექტები იყოფა 2— აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფად. თანამედროვე სალიტ. კ. ე-ის ფუძემდებელია XIX ს. გამოჩენილი მწერალი ჯ. ვერდაგერი (1845—1902). კ. ე. ახლოს დგას ესპ. და პროვანსულ ენებთან.

კატალანური ლიტერატურა, ვითარდება კატალანურ ენაზე და მის დიალექტებზე კატალონიისა და ვალენსიის ისტორიულ პროვინციებში, ბალეარის კ-ებზე (ესპანეთი) და საფრ. სამხრ.-დას-ით. XIII ს-მდელი შემორჩენილი ტექსტები დაწერილია ლათ. ენაზე; მათგან უძველესია კრებ. „ორგანიას ქადაგებანი" (XII—XIII სს. მიჯნაზე). თავდაპირველად ვითარდებოდა რელიგ. წერილობითი ლიტ-რა. IX—XIII სს-ში ზეპირ ხალხ. პოეზიას ავრცელებდნენ მოხეტიალე მომღერლები და პოეტები — ჯოგლარები. XII ს. საერო პოეზიას პროვანსული სარაინდო ლირიკის გავლენა ეტყობა. XIII ს. დასასრ. იქმნებოდა სატირული და მორალისტური თხზულებები. ამ საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლებია ჯაუმე I-ის (1208—76) „ქრონიკა" (გამოქვეყნდა 1557), „სიბრძნის წიგნი" (გამოქვეყნდა 1908) და სხვ. შუა საუკ. კ. ლ-ის უდიდესი წარმომადგენლის რაიმუნდ ლულის (1232/35 — დაახლ. 1315) „ბლანკერნის წიგნი" (დაახლ. 1284) რომანის შექმნის პირველი ცდა იყო. XIV ს. კ. ლ. ძირითადად ფრანგ.-პროვანსული ლიტ-რის გავლენას განიცდიდა, თუმცა შეიქმნა „კატალანური სკოლაც" და ორიგინ. ნაწარმოებებიც იწერებოდა. XV ს-ში გავრცელდა რენესანსული იდეები; საუკუნის დასასრულს კი დაიწყო კ. ლ-ის დალმავლობის ხანგრძლივი პერიოდი. XVIII ს-ში ლიტ. ცხოვრების გამოცოცხლებას ხელი შეუწყო განმანათლებელთა მოღვაწეობამ. XIX ს. 40—60-იანი წლები რომანტიზმის აყვავების ხანა იყო. უმთავრესად იწერებოდა ისტ. რომანები და ისტ. ტრაგედიები. XIX—XX სს. მიჯნაზე მომძლავრდა დასავლეთის მოდერნისტული მიმდინარეობების გავლენა, თუმცა ეროვნ., თვითმყოფი ლიტ-რაც ვითარდებოდა. I მსოფლიო ომის შემდეგ ფეხი მოიკიდა ავანგარდისტულმა მიმდინარეობებმა. ფაშისტური დიქტატურის პერიოდში ლიტ. ცხოვრება ჩაკვდა. 50-იანი წლებიდან ერთდროულად ვითარდება რეალისტური და „ნეომოდერნისტული" ლიტ-რა.

ლიტ.: Шишмарев В. Ф., Очерки по истории языков Испании, М.— Л., 1941; Díaz Plaja G., De literatura catalana. Estudis i interpretaciones, Barcelona, [1956].

კატალაუნის ბრძოლა, საფრანგეთის ჩრდ.-აღმ-ით, კატალაუნის დაბლობზე, თანამედროვე ქ. ტროუის დას-ით, 451 ივნ. II ნახევარში გამართული „ხალხთა ბრძოლა", რ-ის შედეგადაც რომაელთა ჯარებმა (სარდალი აეციუსი) და მათმა გერმ. მოკავშირეებმა (ვესტგუთები, ბურგუნდები, ფრანკები და სხვ.) გაანადგურეს ჰუნების ურდოები, რ-თაც ატილა სარდლობდა. ამან ბოლო მოუღო ჰუნების წინსვლას ევროპაში.

კატალეფსია (<ბერძნ. katalepsis—ხელში ჩაგდება, შეპყრობა), სხეულის ან კიდურების ხანგრძლივად გაშეშება რომელიმე პოზასა ან მდგომარეობაში (ე. წ. „ცვილის მოქნილობა"). იწვევს კუნთების ტონუსის მომატება *კატატონიის*, ჰიპნოზური ძილისა და სხვ. დროს.

კატალექტიკა (ბერძნ. katalektikos — ბოლოკვეცილი < katalegō — ვამთავრებ, ვაბოლოებ), 1. მეტრიკის ნაწილი, რ-იც განიხილავს სალექსო სტრიქონის ბოლო ტერფის მეტნაკლებობას ტაეპის საერთო ტერფულ მოცულობასთან შედარებით; მეტნაკლებობა დამოკიდებულია უკანასკნელი მახვილიანი მარცვლის მომდევნო უმახვილო მარცვალთა რაოდენობის მერყეობაზე (ძირითადად — ნულიდან ორამდე, იშვიათად — 3 ან მეტი). 2. სალექსო სტრიქონი, რ-ის ბოლო ტერფი მოკლეა სტროფის საერთო ტერფულ მოცულობასთან შედარებით (აკალექტიკის საპირისპირო მოვლენა ტაეპში). მაგ., გაზაფხულის /შემოსვლისა/ მხმობელნი (ბესიკი).

ე. კატაევი.

კატალიზატორები, ნივთიერებები, რ-ებიც რეაქციაში მონაწილე ნივთიერებებთან მრავალჯერადი შუალედური ქიმ. ურთიერთქმედების შედეგად ცვლიან ქიმ. რეაქციების სიჩქარეს, მაგრამ არ შედიან საბოლოო პროდუქტების შედგენილობაში (იხ. *კატალიზი*). ბაოლ. კ-ის—*ფერმენტების* საშუალებით ხორციელდება ყველა ცოცხალი ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლა.

ს. კატაიამა.

კ-ის უმნიშვნელოვანესი თვისებაა მათი მოქმედების სპეციფიკურობა: თითოეული ქიმ. რეაქცია ან მსგავსი რეაქციების ჯგუფი შეიძლება დაჩქარდეს მხოლოდ გარკვეული კ-ის მოქმედებით. ამავე დროს ერთი და იმავე ნივთიერებების ურთიერთქმედებისას სხვადასხვა კ-ის მონაწილეობით სხვადასხვა პროდუქტი მიიღება. მაგ., ნახშირჟანგისა და წყალბადის ნარევისაგან სხვადასხვა კ-ის მონაწილეობით შეიძლება მივიღოთ მეთანი, თხევადი ნახშირწყალბადების ნარევი, მაღალმოლეკულური მყარი ნახშირწყალბადები, მეთილის სპირტი და სხვ. კ-ის სპეციფიკურობის საზომს წარმოადგენს ამორჩევითობა (სელექციურობა), რ-იც განისაზღვრება მოცემული კ-ის თანაობისას მიზანდასახული რეაქციის სიჩქარის შეფარდებით საწყისი ნივთიერებების გარდაქმნის საერთო სიჩქარესთან. კ-ის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კატალიზური აქტიურობა, რ-იც გამოისახება ერთი და იმავე რეაქციების სიჩქარეთა სხვაობით კ-ის გარეშე და კ-ის თანაობისას.



კატაკომბური კულტურა: 1, 2—თიხის ჭურჭელი; 3—სამარხი; 4—სპილენძის დანა; 5—სპილენძის სადგისი.

აქტიურობასა და შერჩევითობასთან ერთად მნიშვნელოვანი საექსპლუატაციო მახასიათებელია კ-ის სტაბილურობა, რ-იც განსაზღვრავს კ-ის გამოყენების შესაძლებლობას წარმოებაში. დროთა განმავლობაში წარმოებაში გამოყენებული კ-ის აქტიურობა მცირდება სხვადასხვა თანაპროცესით. ყველაზე სტაბილური კ. უწყვეტად მუშაობს 10 წ მეტს (მაგ., ვანადიუმის კ. SO_2 ჟანგვისათვის). კ-ს, რ-თა სამსახურის ვადა უძრავი ფენის მქონე რეაქტორებში 1—2 *თ*-ზე ნაკლებია, არ იყენებენ.

კატალონიის სკოლა. ხ. უგე. „წმინდა ბერნარდინი“. ტემპერა, სტუკო. ბარსელონის ტაძრის რეტაბლოს ფრაგმენტი. 1462.

ჰომოგენური კატალიზური პროცესების დროს კ-ის როლს ასრულებს გარკვეული ქიმ. ნაერთები ან მათი ნარევები. ამ შემთხვევაში კ-ის კატალიზური თვისებები განისაზღვრება მათი ქიმ. შედგენილობითა და აღნაგობით. წარმოებაში ძირითადად იყენებენ ჰეტეროგენულ კატალიზურ პროცესებს. ამ დროს ხმარობენ ფორიან მარცვლოვან მყარ კ-ს, რ-თაც განვითარებული შიდა ზედაპირი გააჩნიათ.

კ-ის დასამზადებლად იყენებენ სხვადასხვა მეთოდს (ხსნარიდან დალექვა, გაყლენთა, შერევა, შედნობა არააქტ. ნაწილის შემდგომი გამოტუტვით და ა. შ.). უმრავლეს შემთხვევაში გამოყენების წინ კ-ს სპეციალურად ამუშავებენ—ააქტივებენ, რის დროსაც ხდება აქტ. ნივთიერების წარმოქმნა და ფოროვანი სტრუქტურის ფორმირება. მაღალდისპერსიული მდგომარეობის სტაბილიზაციის ან კ-ის ეკონომიის მიზნით მას ანაწილებენ სათანადო სარჩულზე — ალუმინის ჟანგზე, სილიკაგელზე და სხვ. ერთკომპონენტიან კ-თან შედარებით ბოლო დროს უპირატესობა ენიჭება მრავალკომპონენტიან კ-ს.

ყოველი საწარმოო პროცესისათვის საჭიროა სპეციფ. კ. ამის გამო დიდი რაოდენობით ამზადებენ სხვადახხვა კ-ს, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შედგენილობით, ფოროვანი სტრუქტურით, გრანულების ფორმითა და ზომით.

კ-ის მსოფლიო წარმოება წელიწადში 500—800 ათ. ტ შეადგენს.

კატალიზი (ბერძნ. katalysis—დაშლა), ქიმიური რეაქციების სიჩქარის შეცვლა *კატალიზატორების* თანაობისას. კატალიზატორების მონაწილეობით მიმდინარე რეაქციებს კ ა ტ ა ლ ი ზ უ რ ი რ ე ა ქ ც ი ე ბ ი ეწოდება. კატალიზატორის ზემოქმედება განაპირობებს რეაქციის ახ. მიმართულებით მიმდინარეობას. კ-ის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს რეაქციის აჩქარება რეაქციის პროცესში წარმოქმნილი პროდუქტის ან რეაქციის შუალედური ნაერთის მოქმედებით.

კ. არ არის დაკავშირებული კატალიზატორის თავისუფალი ენერგიის ცვლილებასთან, რის გამოც კატალიზატორი არ იწვევს ქიმ. სისტემაში წონასწორობის გადახრას, ვინაიდან აჩქარებს როგორც პირდაპირ, ისე შებრუნებულ რეაქციას.

ქიმ. გარდაქმნის სიჩქარის განმსაზღვრელი ფაქტორია *აქტივაციის ენერგია*. ძირითადად არჩევენ კატალიზური პროცესების ორ ჯგუფს: ფ უ ძ ე-მ ჟ ა ვ უ რ (ჰეტეროლიტური) და ჟ ა ნ გ ვ ა-ა ღ დ გ ე ნ ი თ ს (ჰომოლიტური). პირველი ჯგუფის პროცესებში მიმდინარეობს მორეაგირე ნივთიერებათა შუალედური ფუძე-მჟავური ურთიერთქმედება კატალიზატორთან, მაგ., კატალიზატორიდან პროტონის გადასვლა მორეაგირე ნივთიერებაზე და პირიქით, მაგ., რთული ეთერების ჰიდროლიზი, პოლიმერიზაცია, ნახშირწყალბადების კრეკინგი, იზომერიზაცია და სხვ.; ჟანგვა-აღდგენითი კატალიზური რეაქციების (მაგ., გოგირდოვანი ანჰიდრიდის ჟანგვა გოგირდის ანჰიდრიდად, ამიაკის კატალიზური ჟანგვა და სხვ.) მიმდინარეობისას შუალედური ურთიერთქმედება დაკავშირებულია კატალიზატორსა და მორეაგირე ნივთიერებებს შორის ელექტრონების გადასვლასთან.



კატამარანი.

მორეაგირე ნივთიერებებისა და კატალიზატორის ფაზურ მდგომარეობასთან დაკავშირებით არჩევენ ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ და ჰ ე ტ ე რ ო გ ე ნ უ ლ კ-ს. შუალედური მდგომარეობა უკავია მიკროჰეტეროგენულ კ-ს კოლოიდურ სისტემებში (მაგ., კ. ფერმენტებით). ჰეტეროგენული კ-ის დროს კატალიზატორისა და მორეაგირე ნივთიერებათა ფაზური მდგომარეობა სხვადასხვაგვარია.

კ-ის შესახებ პირველი მეცნ. კვლევა XIX ს. დასაწყისს ჩატარდა. 1806 ფრანგმა მეცნ. ნ. კლემანმა და შ. დეზორმმა აღმოაჩინეს აზოტის ჟანგეულების კატალიზური მოქმედება გოგირდოვანი ანჰიდრიდის ვოგირდის ანჰიდრიდად დაჟანგვისას. 1811 რუსმა მეცნ. კ. კირხგოფმა აღმოაჩინა სახამებლის გლუკოზად გარდაქმნის შესაძლებლობა განზავებული მჟავების მონაწილეობით, 1814 კი დაადგინა, რომ ამავე რეაქციის კატალიზატორია ფერმენტი დიასტაზა. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ბიოლ. კატალიზატორების (ფერმენტების) შესწავლას. კატალიზური რეაქციების შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ფრანგ (ლ. ტენარი), ინგლ. (ჰ. დეივი), გერმ. (ი. დებერაინერი და ე. მიჩერლიხი) და შვედ (ი. ბერცელიუსი) ქიმიკოსებს. კ-ის მულტიპლეტური თეორია წამოაყენა და განავითარა რუსმა მეცნ. ა. ბალანდინმა. კ-ის ელექტრონული თეორიის საფუძვლები შექმნა რუსმა ქიმიკოსმა ლ. პისარჟევსკიმ, აღსანიშნავია აკად. გ. ბორესკოვის შრომები.

აღმოჩენილი და შესწავლილია მრავალი კატალიზური რეაქცია. სსრკ-სა და საზღვარგარეთ მიმდინარეობს ფართო კვლევა ახ. სრულყოფილი სინთეზური კატალიზატორების მისაღებად. მოძღვრებას კ-ის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქიმ. მრეწვ. პროგრესისათვის, ისე მრავალი ბიოლ. პროცესის ახსნისათვის.

ლიტ.: Б а л а н д и н А. А., Мультиплетная теория катализа, ч. 1—2, М., 1963—64; Т о м а с Дж., Т о м а с У., Гетерогенный катализ, пер. с англ., М., 1969.

კატალოგი (ბერძნ. katalogos — ნუსხა, სია), 1. გარკვეული ნიშნით შერჩეული საგნების სისტემური ნუსხა; 2. საგნების სია, შედგენილი ისეთი წესით, რ-იც აადვილებს მათ მიგნებას (მაგ., *კატალოგი* საბიბლიოთეკო); 3. სამეცნ.-ტექ. ან კულტ.-საგანმან. ხასიათის საცნობარო გამოცემა, რ-იც შეიცავს აღებულ საგანთა სისტემურ ნუსხას (მაგ., საფოსტო მარკების კ., სამხატვრო ნაწარმოებთა კ. და სხვ.).

კატალოგი ს ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ო, ბიბლიოთეკაში არსებულ ბეჭდვით ნაწარმოებთა ნუსხა. მასალის დაჯგუფების მიხედვით არის: ანბანური, სისტემური, საგნობრივი კ-ები. არსებობს აგრეთვე ე. წ. ნუმერაციული კ. გენ. კ. ასახავს ბ-კის მთელ ფონდს, ხოლო თუ ბ-კას ფილიალებიც აქვს, მაშინ ჩნდება აუცილებლობა ცენტრ. კ-ისა, რ-შიც აისახება ბ-კისა და მისი ფილიალების შეერთებული ფონდები. შეერთებული კ. ასახავს რამდენიმე ბ-კის ფონდს და იქმნება ტერიტ. პრინციპით. ტიპურ კ-ში ასახულია სარეკომენდაციო ლიტ-რა.

ფორმის მიხედვით კ. არის ბარათული და ბლოკბარათული. სხვადასხვა სახისა და ტიპის კ-ების შედგენა და ორგანიზაცია კ ა ტ ა ლ ო გ ი ზ ა ც ი ი ს საგანია. სსრკ-ში საბიბლიოთეკო საქმის რაციონალიზაციის მიზნით ორგანიზებულია ცენტრალიზებული კატალოგიზაცია; სახელმწ. სტანდარტის (სახელმწ. სტანდარტი — 7.4—69) შესაბამისად მასობრივი ბ-კისათვის განკუთვნილ ყოველ წიგნს თან უნდა ახლდეს საკატალოგო ანოტირებული ბარათის მაკეტი. *ნ. გურგენიძე.*

კატალონია (Cataluña), ისტორიული ოლქი ჩრდ.-აღმ. ესპანეთში. მოიცავს ბარსელონის, ტარაგონის, ჟერონისა და ლერიდის პროვინციებს. ფართ. 31,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 5,1 მლნ. კაცი (1971), უმთავრესად კატალონიელები. ადმ., ეკონ., კულტ. ცენტრი და მთავარი ნავსაყდგური—ბარსელონა.

ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს კატალონიის მთებს(სიმაღლე 1712 *მ*-მდე). ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ სანაპირო ვაკის ვიწრო ზოლია. კალთებზე არის მაკვისი და მუხისა და ფიჭვის ტყეები.

კ. ესპ. ერთ-ერთი მთავარი სამრეწვ. რ-ნია, მის წილად მოდის ქვეყნის დამუშავებითი მრეწვ. პროდუქციის მოლიანი ღირებულების თითქმის 1/3. ოლქის მოსახლ. დაახლ. 70% და მრეწველობაში დასაქმებულთა დაახლ. 80% კონცენტრირებულია ქ. ბარსელონაში, მის გარეუბნებსა და ქალაქ-თანამგზავრებში. მრეწვ. მთავარი დარგებია ლითონდამუშავება და მანქანათმშ. (საფეიქრო მანქანების, ლითონდასამუშ. ჩარხების წარმოება, ავტო- და ტრაქტორთმშენებლობა), საფეიქრო და ქიმ. მრეწველობა. არის აგრეთვე ელექტროტექ. და ელექტრონული მრეწვ., სარკინიგზო მოწყობილობის წარმოება, ძრავათმშენებლობა, ქაღალდის, ცემენტის მრეწველობა.

სოფ. მეურნ. სასაქონლო ხასიათისაა. მის პროდუქციას უმთავრესად დიდი კაპიტალ. მეურნეობები იძლევა. მუშავდება კ-ის მთელი ფართობის 40%-ზე ნაკლები, აქედან დაახლ. 2/5 ბაღებს უჭირავს. განვითარებულია მეფრინველეობა და მეღორეობა.

ოფიც. დოკუმენტებში სახელწ. „კ.“ იხმარება XII ს. I ნახევრიდან ბარსელონის საგრაფოსა და მისი მომიჯნავე მიწების აღსანიშნავად. 785—811 ეს ტერიტ. არაბებს ფრანკებმა წაართვეს, რამაც განაპირობა კატალონიელების ეთნ. განცალკევებულობა. 1137 ბარსელონის საგრაფო პირადი უნიით შეუერთდა არაგონის სამეფოს, 1164-იდან კი მისი ნაწილი გახდა (ბარსელონის გრაფები არაგონის მეფეები გახდნენ), მაგრამ შეინარჩუნა პოლიტ. დამოუკიდებლობა (*კორტესი*, კანონმდებლობა და მმართველობა, სავაჭრო და საგადასახადო პრივილეგიები). XIII—XIV სს-ში კ-ში ბატონყმური დამოკიდებულების მძიმე ფორმები განმტკიცდა. 1462—72 და 1484—86 გლეხთა აჯანყებებმა აიძულეს არაგონის მეფე გაეუქმებინა კ-ში ბატონყმობა (1486). გაერთ. ესპანეთში (1479-იდან) კ. პროვინცია იყო, მაგრამ XVIII სმდე ინარჩუნებდა *ფუეროსების* უმრავლესობას. *სეგადორის აჯანყებასა* (1640—52) და 1705—14 აჯანყებაში კატალონიელები იბრძოდნენ სამეფო ხელისუფლების მიერ კ-ის თავისუფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. 1833 ესპანეთში შემოღებული ახ. ადმ. დაყოფით კ. ცალკე ადმ. ერთეულს აღარ წარმოადგენდა. XIX ს. 40-იან წლებში კ-ში გაძლიერდა ეროვნ. მოძრაობა. 1914 ესპ. მთავრობა დათმობაზე წავიდა და მთელი კ-თვის შეიქმნა ერთიანი ადგილ. თვითმმართველობის ორგანო — მანკომუნიდადი (რ-იც გააუქმა 1925 პრიმო დე რივერამ). ესპ. რესპ. დამყარების (1931) შემდეგ კ-ში ეროვნ. მოძრაობის ახ. აღმავლობა დაიწყო. 1932 წ. 9 სექტ. დამფუძნებელმა კორტესმა მიიღო კანონი კ-ის ავტონ. სტატუსის შესახებ, რ-ის თანახმად 1932 წ. 20 ნოემბ. აირჩიეს კ-ის პარლამენტი და შეიქმნა ადგილ. მთავრობა. 1934 ოქტ. რევ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ კ-ის ავტონ. მმართველობა ფაქტობრივად გაუქმდა. *სახალხო ფრონტის* გამარჯვებამ (1936) შესაძლებელი გახადა კ-ის ავტონ. უფლებების აღდგენა. ეს უფლებები მათ ფრანკისტების მიერ კ-ის დაპყრობამდე (1939 თებ.) შეინარჩუნეს. 1977 ავტონომია აღადგინეს.

კატალონიელები, აღმ. ესპანეთში (ძირითადად კატალონიაში, ნაწილობრივ არაგონსა და ვალენსიაში, აგრეთვე ბალეარისა და პიტიუსის კ-ებზე) მცხოვრები ერი. რაოდ. ესპანეთში 5,3 მლნ-ზე მეტი (1970, შეფასება). ცხოვრობენ აგრეთვე საფრანგეთში (დაახლ. 200 ათ. კაცი), იტალიაში (დაახლ. 15 ათ. კაცი, უმთავრესად კ. სარდინიაზე), ანდორაში (დაახლ. 7 ათ. კაცი), აშშ-სა და ლათ. ამერიკაში (დაახლ. 20 ათ. კაცი). ლაპარაკობენ კატალანურ და ესპ. ენებზე. მორწმუნენი კათოლიკეები არიან; კ-ის წინაპრები იყვნენ იბერიული ტომები, რ-თაც განიცადეს კელტების, კართაგენელებისა და ბერძენი კოლონისტების, ხოლო ძვ. წ. III ს-იდან რომაელების გავლენა. V ს-ში კ-ის მიწებს ერთხანს ალანები ფლობდნენ, შემდეგ ვესტგუთები. VIII ს. დასაწყისში კ. დაიპყრეს არაბებმა, რ-ებიც VIII ს. ბოლოს ჩრდ. კატალონიიდან ფრანკებმა განდევნეს. ფრანკებთან ხანგრძლივმა კონტაქტებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს კ-ის ეთნ. თავისებურება. XVს. ბოლოდან, ესპ. ერთიანი სახელმწიფოს შექმნიდან, XX ს. შუა წლებამდე კ. იბრძოდნენ ესპ. მთავრობის ცენტრ. პოლიტიკის წინააღმდეგ საკუთარი ავტონომიისათვის. ამ ბრძოლაში თანდათანობით ჩამოყალიბდა კატალონიელი ერი. კ. მუშაობენ მრეწველობაში. მისდევენ სოფ. მეურნეობას და თევზჭერას.

კატალონიის მთები, მთები ესპანეთის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. გადაჭიმულია ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-კენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაახლ. 250 *კმ*-ზე. შედგება ტექტონ. ქვაბულით გაყოფილი ორი პარალელური — ზღვისპირა (400—600 *მ*) და შიგა (სიმაღლე 1712 *მ*-მდე, მთა მონტსენი) მთაგრეხილისაგან. აგებულია პალეოზოური გრანიტებით, კვარციტებით, მეზო-კაინოზოური კირქვებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. განვითარებულია კარსტი. ჰავა ხმელთაშუა ზღვისაა. კ. მ-ის კალთებზე გავრცელებულია მუხა, წიფელი, წაბლი, ალეპოს ფიჭვი, მაკვისი; მთისწინეთსა და ვაკეზე ზეთისხილის პლანტაციები, ბაღები, ვენახები, სიმინდისა და ხორბლის ნათესებია.

კატალონიის სკოლა, ესპანური ფერწერის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული შტო XIV—XV სს. მის წარმოშობას და ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო კატალონიის ისტ. განვითარების თავისებურებებმა და ადგილ. მხატვრულმა ტრადიციებმა, აგრეთვე კულტ. ურთიერთობამ საფრანგეთთან, იტალიასა და ნიდერლანდთან. კ. ს-ის საწყისები უკავშირდება XI—XIII სს. რომანული ეკლესიების უხეშ, მაგრამ ცოცხალი გამომსახველობით შესრულებულ მხატვრობას, რ-ის ტრადიციები სიენისა და ფლორენციის ფერწერულ ტრადიციებთან ერთად თავისებურად აისახა კ. ს-ის ფუძემდებლის ფერერ ბასას მიერ შესრულებულ მოხატულობებში (სან-მიგელის კაპელა პედრალბესის მონასტერში, ბარსელონა, 1346). კ. ს-ის ოსტატები ძირითადად ქმნიან *რეტაბლოებს*. კ. ს-ის ფერწერაში აღორძინების კულტურის წინამორბედი ელემენტები შეერწყა გვიანდ. გოტიკის პრინციპებს. კ. ს-ის ოსტატებისათვის უცხო დარჩა ზეთის ფერწერის სიახლენი. ფიგურებს ხატავდნენ ტემპერით, ფონს და ნიმბებს ამზადებდნენ სტუკოსგან. ბრტყელი რელიეფი ემსახურებოდა ფერწერის დაკავშირებას დეკორ. პლასტიკასთან და ქანდაკებასთან და მის საერთო დეკორ.-არქიტ. ანსამბლში ორგანულ ჩასმას. XIV—XV სს. კ. ს-ის ფერწერას ახასიათებს იტალ. მხატვრობის ზეგავლენა, რაც გამოიხატა სამგანზომილებიანი მოცულობისა და შრეებიანი სივრცობრიობის შექმნისაკენ სწრაფვაში. XV ს. შუა წლებში გაძლიერდა ნიდერ. ფერწერის გავლენა, რაც ორგანულად აისახა ხ. უგეს თვითმყოფ. ლრმა გრძნობით აღსავსე შემოქმედებაში. ესპ. გაერთიანების (1479) შემდეგ კ. ს-ის მიღწევები ესპ. ხელოვნ. განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

კატალპა (Catalpa), მცენარეთა გვარი ბიგნონიასებრთა ოჯახისა. ფოთოლმცვივანი ხეებია. ცნობილია 11 სახეობა. სამშობლოდ ითვლება ჩრდ. ამერიკა და აღმ. აზია. კულტივირებულია სსრკ-ის ევრ. ნაწილის სამხრეთში, ასევე საქართვ. ბევრ რ-ნში. ამრავლებენ თესლით, კალმით და ფესვის ამონაყარით. კარგად ხარობს მსუბუქტენიან ნიადაგებზე. სინათლის მოყვარულია. აქვს მსუბუქი და რბილი მერქანი, რ-იც ძნელად ლპება. დეკორ. მცენარეებია.

კატამარანი (<ტამილური კატუმარამ, სიტყვასიტყვით — შეკრული მორები) 1. ტივი, რ-საც იყენებს ინდოეთის ოკეანის სანაპირო აზიასა და მიმდებარე კუნძულებზე მცხოვრები ხალხი მცირე მანძილზე მიმოსვლისათვის და სათევზაოდ. მოძრაობს ნიჩბების ან აფრის მეშვეობით (ასეთსავე ტივებს იყენებდნენ წყნარი ოკეანის კ-ებისა და სამხრ. ამერ. მცხოვრებნიც). კ-ს უწოდებდნენ აგრეთვე მცირე ზომის სანიჩბავ ან აფრიან გემს, რ-იც შედგება რამდენიმე ამოტეხილი, ორივე მხრიდან წაწვეტებული და ერთმანეთთან წანწალათი შეერთებული ძელისაგან. 2. თანამედროვე ორკორპუსიანი (კორპუსები ზედა ნაწილში *წამწით* ან მთლიანი გემბანითაა შეერთებული) ან ერთკორპუსიანი აფრიანი გემი, რ-საც აქვს ერთი ან ორი ბორტს გარეთ გამოტანილი ტიეტივა-ბალანსირი. კ. გამოირჩევა კარგი საზღვაოსნო თვისებებით, გადიდებული მდგრადობით. განასხვავებენ საზღვაო და სამდინარო თევზსაჭერ, სამგზავრო, სატვირთო (სურ.), საბუქსირო, სამეცნ.-კვლ. და სხვა სახის კ-ებს.

კატამორფოზი (ბერძნ. kata — ქვემოთკენ მიმართულების აღმნიშვნელი თავსართი და morphē — ფორმა, სახე), კ ა ტ ა გ ე ნ ე ზ ი, ევოლუციური პროცესის ერთ-ერთი მიმართულება, რ-იც ვლინდება ორგანიზაციის საერთო გამარტივებით ერთგვაროვანი გარემოსადმი შეგუების შედეგად. კ. ჩვეულებრივ მოყვება სედენტარულ (სუბსტრატზე მიმაგრებულ) და პარაზიტულ ცხოვრებაზე გადასვლას. კ. გამოიხატება სხვადასხვა ორგანოს (ზოგჯერ მთელი ორგანოთა სისტემის) რედუქციით (თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება პროგრესულადაც განვითარდეს: მაგ., პარაზიტული ფორმების გამრავლების ორგანოები). კ-ის კერძო შემთხვევაა ჰ ი პ ო მ ო რ ფ ო ზ ი (ჰიპოგენეზი), რ-იც გულისხმობს ისეთი ორგანიზმების ფორმირებას, რ-ებიც მათი წინაპრების ონტოგენეზის რომელსამე არასრულ სტადიას გვანან (იხ. *ნეოტენია*). ტერმ. „კ." ეკუთვნის საბჭ. მეცნ. ი. შმალგაუზენს (1939).

ლ. ნათაძე.

კატანია (Catania), ქალაქი და ნავსადგური იტალიაში, კ. სიცილიის აღმ. სანაპიროზე, ვულკან ეტნის ძირას. კატანიის პროვ. ადმ. ცენტრი. 399 ათ. მცხ. (1976). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. გემთსარემონტო ვერფები, ორთქლმავალ-ვაგონთსარემონტო სახელოსნოები. სას.-სამ. მანქანათმშ., ელექტრონული, ნავთობგადასამუშ. და ქიმ. მრეწველობა. კვების, აბრეშუმის, ბამბის, ხის დასამუშ., კერამ. საწარმოები.

უნ-ტი (XV ს-იდან), ასტროფიზ. ობსერვ., ვულკანოლოგიის ინ-ტი. ბოტან. ბაღი. არქიტ. ძეგლები.

კატანძარო (Catanzaro), ქალაქი სამხრ. იტალიაში, კალაბრიაში. კატანძაროს პროვ. ადმ. ცენტრი. 83 ათ. მცხ. (1970). სარკინიგზო კვანძი. კ-ს ნავსადგურია მარინა-დი-კატანძარო სკუილაჩეს ყურის (იონიის ზღვა) ნაპირზე. კვების, ხის დასამუშ., ლითონდასამუშ., საფეიქრო მრეწვ., მეთუნეობა.



ნახ. 1. კატაპულტა: *1* — ხის ჩარჩო; 2 — მყესისაგან დამზადებული ბაგირი; *3* — ქვისა და სხვ. სასროლი კოვზი 4 —ბაგირის გასაჭიმი ჭიშკარი.

კატაპიტნა (Nepeta), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახების გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 250-მდე სახეობას. გავრცელებულია ევრაზიის არქტიკის გარე ოლქებში, აგრეთვე აფრიკაში. სსრკ-ში — კავკასიასა და შუა აზიაში — 80-ზე მეტი სახეობა იზრდება, საქართველოში — 12, მათგან 2 საქართვ. ენდემია, 4—კავკასიისა. იზრდება მშრალ და ქვიან ფერდობებზე. კ ა ტ ა პ ი ტ ნ ა (N. cataria) თაფლოვანი და ეთერზეთოვანი მცენარეა, იყენებენ პარფიუმერიაში; დ ი დ ყ ვ ა ვ ი ლ ა კ. (N. grandiflora) დეკორატიულია.

ამერიკული კატალპა (Catalpa bignonioides): ა— ყვავილებიანი ტოტი; ბ— ყვავილი; გ—ნაყოფებიანი ტოტი.

კატაპულტა (ლათ. catapulta < ბერძნ. katapeltēs); 1. სატყორცნი მანქანა, რ-იც მოქმედებაში მოჰყავს დაგრეხილ ბოჭკოს (ძარღვების, თმისა და სხვ.) დრეკად ძალებს (ნახ. 1). იყენებდნენ ძვ. საბერძნეთსა და რომში V ს. ბოლომდე, უმთავრესად ციხესიმაგრის ალყის დროს, შემსუბუქებულ ნიმუშებს კი — საველე ბრძოლებშიც. კ-ით რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე ტყორცნიდნენ ქვის ბირთვებს, მორებს, ცხელფისიან კასრებს და სხვ., აგრეთვე 185 *სმ* სიგრძის და 1,5 *კგ* მასის ისრებს — 150 *მ* მანძილზე. 2. მოწყობილობა, რ-იც თვითმფრინავებს, პლანერებსა და სხვ. საფრენ აპარატებს გზის მოკლე მონაკვეთზე აძლევს საწყის (სასტარტო) სიჩქარეს (ნახ. 2).

კატარაქტა (ბერძნ. katarrhaktēs — ჩანჩქერი), თვალის ბროლის შემღვრევა, რაც ხელს უშლის თვალში სინათლის სხივების მოხვედრას და აქვეითებს მხედველობას. ლოკალიზაციის მიხედვით განარჩევენ კ ა ფ ს უ ლ უ რ (ბროლის მფარავ კაფსულაში), ქ ე რ ქ ო ვ ა ნ (ბროლის პერიფერიულ შრეებში), ბ ი რ თ ვ ო ვ ა ნ (ბროლის ცენტრ. შრეებში) კ-ს. კ. შეიძლება იყოს თანდაყოლილი და შეძენილი. თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი კ. მუცლად ყოფნის დროს ვითარდება, უმეტესად არა აქვს პროგრ. ხასიათი, ბროლის შემღვრევა ასაკთან ერთად არ მატულობს და არ იცვლება, თვალში მუდამ რჩება ბროლის გამჭვირვალე ნაწილები. თანდაყოლილი კ. მემკვიდრეობით გადადის და ხშირად ოჯახობრივი ხასიათი აქვს. შ ე ძ ე ნ ი ლ ი კ-ის ძირითად ჯგუფს მოხუცებულობის კ. შეადგენს. მოხუცებულობის კ-ის დასაწყისში შემღვრევა ჩნდება ბროლის პერიფერიაზე (დაწყებითი კ.), შემდეგ ბროლის შემღვრევა თანდათან მატულობს, შემღვრეული უბნები ერთიანდება (უმწიფარი კ.). შემდგომი განვითარებისას იმღვრევა ბროლის ყველა შრე, მხედველობა ძლიერ ქვეითდება, ავადმყოფი მხოლოდ შუქს შეიგრძნობს და პრაქტიკულად ბრმავდება (მწიფე



ნახ. 2. თვითმფრინავის სტარტი კატაპულტის დახმარებით.

თანდაყოლილი კატარაქტის სხვადასხვა ფორმის სქემატური გამოსახულება: 1—კაფსულური კატარაქტა; 2—შრეებრივი კატარაქტა; 3—ბირთვოვანი კატარაქტა; 4—ქერქოვანი კატარაქტა; 5—მთლიანი კატარაქტა.



ჰ.). მოხუცებულობის ჰ. ყოველთვის ორივე თვალში ჩნდება, მაგრამ არა ერთდროულად, მისი მომწიფების პერიოდი ათეული წლობით გრძელდება. შეძენილ ჰ-ს აკუთვნებენ აგრეთვე გართულებულ ჰ-ს, რ-იც ვითარდება როგორც საერთო დაავადებების (დიაბეტი, ქოლერა, კეების დაქვეითება და სხვ.), ისე თვით თვალის დაავადების (სისხლძარღვოვანი ტრაქტის ანთება, პროგრ. ახლომხედველობა და ა. შ.) დროს. შეძენილ ჰ-ს განეკუთვნება თვალის ტრავმის, გამოსხივების და სხვ. შედეგად განვითარებული ჰ. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა ძირითადად ქირურგიულია.

ლიტ.: Д ы м ш и ц Л. А., Болезни хрусталика, წგნ.: Многотомное руководство по глазным болезням, т. 2, кн. 2, М., 1960.

კატარი, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო კ ა ტ ა რ ი, სახელმწიფო დას. აზიაში, კატარის ნ.-კ-ზე (არაბ. ნ.-კ-ის აღმ. ნაწილი), სპარს. ყურის სანაპიროზე. ფართ. 22 ათ. *კმ*². მოსახლ. დაახლ. 250 ათ. კაცი (1979, შეფასება). ცხოვრობენ ადგილ. არაბები (დაახლ. 75 ათ. კაცი), აგრეთვე სხვა არაბ. ქვეყნებიდან, ირანიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან ჩამოსახლებულნი. უმრავლესობა მუსლიმანი-სუნიტია. დედაქალაქი—დოჰა (190 ათ. მცხ., 1979). სახელმწ. ენა—არაბული. ეროვნ. დღესასწაულია 3 სექტ.—დამოუკიდებლობის დღე (1971). ფულის ერთეულია ჰ-ის რიალი. 3,91 რიალი=1 დოლარს (1978).

ჰ. აბსოლ. მონარქიაა. მთელი ხელისუფლება ეკუთვნის სახელმწიფოს მეთაურს — ამირას.

უმეტესად დაბალი, ზოგან ყურეებით დანაწევრებული ჰ-ის ნაპირები გარშემორტყმულია მარჯნის რიფებით. ზედაპირი ქვიანია, ალაგ-ალაგ — დაჭაობებული ვაკე. მდიდარია ნავთობითა და ბუნებრივი აირით. ჰავა უდაბნოსია. იანვ. საშ. ტემპერა დაახლ. 16°C, ივლისისა 32°C, მაქს. 45°C. ნალექები დაახლ. 100 *მმ* წელიწადში. მუდმივი მდინარეები არ არის, ბევრია მშრალი ხევი. გავრცელებულია უდაბნოს მცენარეულობა, აქა-იქ ოაზისებია.

ჰ-ის ნ.-კ. დასახლებული იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. III—II ათასწლეულებში. VII ს-ში შევიდა არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში. სახალიფოს დაშლის შემდეგ (X ს.) — *კარმატების* სახელმწიფოში, XIII—XIV სს-ში ემორჩილებოდა ბაჰრეინის ამირებს. XVI ს. დასაწყისში ბაჰრეინთან ერთად დაიპყრეს პორტუგალიელებმა, მოგვიანებით — ოსმალებმა. 1868 დიდმა ბრიტანეთმა ჰ-ს თავს მოახვია არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. 1871 ჰ. კვლავ ოსმალეთმა დაიპყრო. ჰ-ის გამგებელმა შეიხ კასემ იბნ მუჰამად ალ-თანიმ (მართავდა 1878—1913) XIX ს. ბოლოს გააერთიანა ერთმანეთის მოწინააღმდეგე არაბ. ტომები და დააარსა ჰ-ის სამთავრო. 1914 ოსმალეთმა ჰ. დიდ ბრიტანეთს დაუთმო. 1916 წ. 3 ნოემბ. დიდმა ბრიტანეთმა ჰ-ს თავს მოახვია შეთანხმება პროტექტორატის შესახებ. ინგლ. კოლონიზატორებისა და ადგილ. მმართველი წრეების პოლიტიკამ 30-იან წლებში გამოიწვია ცალკეული ტომების აჯანყებები. განმათ. მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა II მსოფლიო ომის (1939-45) შემდეგ. 1960 ჰ-ის დედაქალაქში მოეწყო მასობრივი სახ. დემონსტრაციები. ამირა ჩამოაგდეს. ჰ-ის გამგებელი გახდა შეიხი აჰმად იბნ ალი ალ-თანი (1972 თებ-მდე, თებ-იდან ხალიფა იბნ ჰამად ალ-თანი). 1963 მუშათა და მოსამსახურეთა საყოველთაო გაფიცვის მონაწილენი მოითხოვდნენ მთელი მოსახლ. თანასწორობას კანონის წინაშე, უცხოელების გადაყენებას მთავრობის პოსტებიდან, აგრ. რეფორმის გატარებას, არსებული რეჟიმის დემოკრატიზაციას. 1966 შეიქმნა მენავთობეთა პირველი პროფკავშირი. 60-იან წლებში აღმოცენდა სხვადასხვა პოლიტ. ორგანიზაცია. განმათ., დემოკრ. მოძრაობის ზრდამ აიძულა მმართველი ზედაფენა გაეტარებინა ზოგიერთი რეფორმა (შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სისტემები და სხვ.). 1970 წ. 2 აპრ. მიიღეს ჰ-ის დროებითი კონსტიტუცია. 1970 წ. 29 მაისს შეიქმნა ჰ-ის პირველი მთავრობა. 1971 წ. 1 სექტ. ჰ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1971 სექტ. ჰ. მიიღეს გაეროში და არაბ. სახელმწიფოების ლიგაში. ქვეყნების უმრავლესობამ ცნო ჰ. (სსრკ-მა — 1971 წ. 8 სექტ.). 1977 თებ. დაწესდა სრული კონტროლი ნავთობზე; სახელმწ. კორპორაციამ „კატარ ჯენერალ პეტროლეუმმა" (შეიქმნა 1975) მიიღო ნავთობის, აირის და მათი ნაწარმის დაზვერვის, მოპოვების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, გაყიდვისა და სხვ. მონოპოლიური უფლებები. 1978 ჰ. კვლავინდებურად მხარს უჭერდა არაბულ ქვეყნებს, რ-თაც განიცადეს ისრაელის აგრესია, და უსასყიდლო დახმარებას უწევდა მათ.

ჰ. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანაა. 1950—60-იან წლებში განვითარდა ნავთობმოპოვებითი ჰრეწველობა. 1978 მოპოვებულ იქნა 23,5 მლნ. *ტ* ნავთობი, რ-ის დიდი ნაწილი გაიტანეს ქვეთ, ნაწილს კი ამუშავებენ უმ-საიდის ნავთობგადასამუშ. ქ-ნაში (სიმძლავრე დაახლ. 350 ათ. *ტ* წელიწადში). იღებენ ბუნებრივ აირს. არის თესები, თხევადი აირის, ცემენტის, ზღვის წყლის გასამტკნარებელი, საფქვავი საწარმოები. სოფ. მეურნ. ნაკლებად არის განვითარებული. ოაზისებში აშენებენ ფინიკის პალმას, მოჰყავთ ფეტვი, სიმინდი, განვითარებულია მეფოსტნეობა. უდაბნოში მისდევენ მომოაბარე შესაქონლეობას. სანაპიროზე იჭერენ თევზს (დაახლ. 20 ათ. *ტ*, 1978), გარნელს (დაახლ. 3,7 ათ. *ტ*, 1978), არის მარგალიტისა და ღრუბლის სარეწები. მაკარსაფრიანი საავტ. გზების სიგრძეა 1,8 ათ. *კმ* (1978), ნავთობ- და აირსადენების სიგრძეა დაახლ. 480 *კმ*. მთავარი ნავსადგურებია დოჰა და უმ-საიდი. დოჰაში არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. გააქვთ უმთავრესად ნავთობი, აგრეთვე ქიმ. სასუქი, თხევადი აირი, ცემენტი, გარნელი, თევზი, მარგალიტი, სადაფი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, სურსათი (უმთავრესად ბრინჯი), საშენი მასალა, ქსოვილი და ტანსაცმელი, ქაღალდი, ხე-ტყე, მედიკამენტები და სხვ. ჰ-ის მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: ექსპორტში — ბანგლადეში, ინდოეთი, არაბთა გაერთ. საამიროები, აშშ, საუდის არაბეთი, ჩინ. სრ; იმპორტში — იაპონია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერ, საფრანგეთი.

ჰ-ში მოსახლ. უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია. 1956-იდან სკოლაში სწავლება უფასოა, განცალკევებულია, მიმდინარეობს ინგლ. პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. არის დაწყ. 6-წლიანი სკოლა, 3-წლიანი საშუალედო სკოლა და 3-წლიანი საშ. სკოლა, რ-საც აქვს ზოგადსაგანმან. და პროფგანყ-ბა. პროფტექ. განათლებას იღებენ 3-წლიან ტექ. და სავაჭრო სკოლებში. 1976 წ. 80-ზე მეტ დაწყ. სკოლაში სწავლობდა 14 ათ-ზე მეტი მოსწავლე, 4 საშუალედო სკოლაში—3 ათ-მდე მოსწავლე. საშ. ზოგადსაგანმან. სკოლებსა და პროფტექ. სასწავლებლებში — 1,5 ათ-მდე მოსწავლე. ჰ-ის 400-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა არაბ. ქვეყნებს, დიდი ბრიტ., აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში.



წყალქვეშაფრთებიანი კატარღა (სსრკ).

რაკეტული კატარღა (გდრ).



სატორპედო კატარღა (შვეცია).



საგუშაგო კატარღა (ფინეთი).

კატარი (ბერძნ. katarrheō — ჩამოვედინები), კ ა ტ ა რ უ ლ ი ა ნ თ ე ბ ა, ლორწოვანი გარსის ანთება, რ-საც ახასიათებს სიწითლე, შეშუპება, აგრეთვე სითხის, ე. წ. ექსუდატის გამოყოფა. ექსუდატი შეიძლება იყოს გამჭვირვალე (სეროზული ჰ.), ლორწოვანი (ლორწოვანი ჰ.) ან ჩირქიანი (ჩირქოვანი ჰ.). ჰ-ს იწვევს ბაქტერიული ან ვირუსული ინფექცია (მაგ., ზემო სასუნთქი გზების ჰ. — *ბრონქიტი, ლარინგიტი, სურდო*), პათოგენური სოკოები (მაგ., *კოლიტი*) და სხვ. კუჭის ჰ. (*გასტრიტის* მოძველებული სახელწოდება) ვითარდება არასწორი კვების, ალკოჰოლის ჭარბად მიღების, თამბაქოს წევისა და სხვ. შედეგად. არასწორი მკურნალობისას მწვავე ჰ. შეიძლება ქრონ. ანთებად გადაიქცეს და განვითარდეს ლორწოვანი გარსის შეუქცევადი ცვლილებები — ატროფია ან ჭარბი და უწესო ზრდა, რაც იწვევს დაავადებული ორგანოს ფუნქციის ნაწილობრივ ან სრულ მოშლას. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა — ჰ-ის მწვავე ფორმების დროული მკურნალობა.

კატარღა, კ ა ტ ე რ ი (<ინგლ. cutter), მცირე ზომის სამგზავრო ან საბრძოლო გემი (სიგრძე 1,5-იდან 40 *მ*-მდე, სიგანე 7 *მ*-მდე, წყალწყვა რამდენიმე ათეული *კგ*-იდან 150 *ტ*-მდე, სვლის სიჩქარე 3-იდან 70 *კვძ*-მდე — 5,5 —130 *კმ/სთ*). კორპუსის წყალქვეშა ნაწილის კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ კილის, ბრტყელფსკერიან, საფეხურიან და უსაფეხურო

კ-ებს, მოძრაობის პრინციპის მიხედვით— წყალწყვიან (წყალში ჩაყურსული), მოსრიალე და ჰაერის ბალიშიან კ-ებს. ძრავას სახეობის მიხედვით კ. შეიძლება იყოს ორთქლის, ძრავიანი, აირტურბინული და აფრიან-სანიჩბავი. კ-ის მაძრავად იყენებენ **წევის ხრახნს, საჰაერო ხრახნს, წყალსატყორცნს.** სამხ.-საზღვაო **ფლოტში კ-ს** იყენებენ როგორც **საბრძოლო, დამხმარე** ვემენს და საბაზო მცურავ საშუალებებს. თანამედროვე საბრძოლო კ-ები არის რაკეტული, საარტილერიო, სატორპედო ნავსაწინააღმ, სადესანტო და სხვ. **დამხმარე ვემებად** და საბაზო მცურავ საშუალებებად **გამოყენებული** კ. შეიძლება იყოს ჰიდროგრაფიული, სანიტარული, მაშველი, **საბუქსირო** და სხვ. წყალძრავულ სპორტში იყენებენ სამარაულო, ტურისტულ კ-ებს, რ-თა ძრავა სტაციონარული ან საკიდია, აგრეთვე 10—14-ნიჩბიან ორანძიან აფრანიჩბიან საზღვაო *კანჯოებს.*

კატასტროფების თეორია, კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ზ მ ი, მოძღვრება, რ-ის თანახმად დედამიწის გეოლოგიური ისტორია ხანგრძლივი სიმშვიდის ეტაპებისა და უეცარი კატასტროფების მონაცვლეობაა. გაბატონებული იყო XIX ს. I ნახევარში. კატასტროფების შედეგად, *ჟ. კიუვიეს* აზრით, ნაწილობრივ, ხოლო ა. *დ' ორბინის* აზრით, მთლიანად ნადგურდებოდა დედამიწის ზურგზე არსებული ორგ. სამყარო და ხელახლა იქმნებოდა „ახალი სამყარო". ფრანგი გეოლოგი *ელი დე ბომონი* კატასტროფებს პლანეტარულ ოროგენულ მოძრაობათა ეპოქებს უკავშირებდა. კ. ო-მ ბუნებისმეტყველების სხვა დარგებშიც მოიკიდა ფეხი. კ. ო. ვერ ხსნიდა „ახალი სამყაროს" შექმნის მიზეზებს, იშველიებდა ზებუნებრივ ღვთაებრივ ძალას და, ამრიგად, იზიარებდა სამყაროს შექმნის ბიბლიურ ვერსიას. მიუხედავად ანტიმეცნიერულობისა, კ. ო-მ გარკვეულ ეტაპზე დადებითი როლი ითამაშა ბიოსტრატიგრაფიის განვითარებაში, რადგან ასაკობრივად განსხვავებულ ფორმაციებს შორის მკვეთრი საზღვრების არსებობისა და ყოველი გეოლ. პერიოდისათვის დამახასიათებელი ორგ. სამყაროს თვისობრივი თვითმყოფობის აღიარებით ამ თეორიამ განამტკიცა *სახელმძღვანელო ნამარხის* ცნება. XIX ს. შუა წლებში კ. ო. უარყვეს როგორც გეოლოგიაში (ჩ. *ლაიელი*), ისე ბიოლოგიაში (ჩ. *დარვინი*). XX ს. I ნახევარში კ. ო. კვლავ აღორძინდა (გეოლოგიაში— ჰ. *შტილეს* ერთდროული პლანეტარული ოროგენიული ფაზისების თეორია, ბიოლოგიაში — ო. შინდეგოლფის წარმოდგენები). ნეოკატასტროფისტული შეხედულებები დამაჯერებლად გააკრიტიკეს და უარყვეს გეოლოგიაში ნ. *შატსკიმ,* ა. *ჯანელიძემ,* პალეონტოლოგიაში — ლ. *დავითაშვილმა* და სხვ. *ო. ხუციშვილი.*

„კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას", ვ. ი. ლენინის შრომა, რ-იც მიეძღვნა ბოლშევიკური პარტიის ეკონომიკური პლატფორმის დასაბუთებას ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე. დაიბეჭდა 1917. შრომაში დახასიათებულია 1917 შემოდგომაზე რუსეთში შექმნილი მძიმე ეკონ. მდგომარეობა, რ-იც გამოწვეული იყო მენშევიკებისა და ესერების მმართველი პარტიების სრული უმოქმედობით, იმპერიალ. ომით. რუსეთს კატასტროფა მოელოდა. ამ შრომაში ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. ცხოვრების მარქსისტული ანალიზის საფუძველზე ლენინმა დაასაბუთა რუს. სოციალ. განვითარების გზაზე გადასვლის აუცილებლობა. „განვითარების ობიექტური მსვლელობა ისეთია,—წერდა ლენინი, —რომ მ ო ნ ო პ ო ლ ი ე ბ ი დ ა ნ ... წინსვლა არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ისე, თუ სოციალიზმისაკენ არ იარე. სოციალიზმი კი ახლა ჩვენ თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა ფანჯრიდან შემოგვცქერის, სოციალიზმი ისახება უშუალოდ, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ, ყოველი დიდი ღონისძიებებიდან, რომელიც ამ უახლესი კაპიტალიზმის ბაზაზე ჩნდა გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25, გვ. 437—438).

პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ სოციალიზმისაკენ უადადგმულ პირველ ნაბიჯად ლენინს მიაჩნდა კონტროლი პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაზე, ქვეყნის ყველა ბანკის, კაპიტალ. მონოპოლიების, მთელი მიწის ნაციონალიზაცია და სხვ. აქვე ჩამოაყალიბა ლენინმა პროლეტარიატის და მისი პარტიის ამოცანა უფრო ხანგრძლივი ისტ. პერიოდისათვის: დაეწიოს და გაუსწროს მოწინავე კაპიტალ. ქვეყნებს ეკონომიკურად. „რევოლუციამ ქნა ის, რომ რუსეთი რამდენიმე თვეში თავისი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ომი ულმობელია, იგი საკითხს შეუბრალებელი სიმკვეთრით აყენებს: ან დაილუპე, ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარი მათ აგრეთვე ე კ ო ნ ო მ ი უ რ ა დ ა ც ... დალუპავ თუ მთელი ძალღონით წინ გაქანება. ასე დასვა საკითხი ისტორიამ" (იქვე, გვ. 444—445).

ლენინის შრომამ შეაიარაღა ბოლშევიკური პარტია ეკონ. კატასტროფის მუქარისაგან ქვეყნის ხსნის ნათელი პროგრამით. იგი დღესაც სოციალ. და კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების სახელმძღვანელოა სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. *გ. ჩადუნელი.*

კატატონია (<ბერძნ. katatonos — გაბმული, დაჭიმული), ფსიქიკის მოშლის სინდრომი, რ-იც ვლინდება მოტორული ფუნქციის დარღვევით. კ. შიზოფრენიისა და ფსიქოზის ერთ-ერთი ნიშანია. ვითარდება ინტოქსიკაციის, ინფექციის ან თავის ტვინის ორგანული დაზიანების შედეგად. განარჩევენ კ-ის ორ, ერთმანეთის მონაცვლე ფორმას: სტუპორს (უმოძრაობა) და აგზნებას. სტუპორის დროს ჩონჩხის კუნთების ტონუსი იმდენად აწეულია, რომ ავადმყოფი შეშდება იმ მდგომარეობაში, რ-შიც მას დააყენებენ (*კატალეფსია*). უმკვეთრესი კუნთოვანი დაჭიმვისას ავადმყოფი თავდახრილია და მუხლები მუცელთან აქვს ამოტანილი (ე. წ. მუცლად ყოფნის მდგომარეობა). მიმიკა გაყინული აქვს, არ ლაპარაკობს (მუტიზმი), გარე გამღიზიანებლებზე რეაქციას არ იძლევა, მიღებული პოზის შეცვლის ყოველგვარი ცდა უშედეგოა. აგზნება შეიძლება გამოვლინდეს პათეტიკურ ან ეგზალტირებულ ქცევებში (პრანჭვა, მანჭვა, სხვადასხვა პოზის მიღება, ცეკვა, სიმღერა და სხვ.), ანდა იმპულსურობასა და აგრესიულობაში. კ-ის დროს ტონუსი შეიძლება იყოს ნათელი ან დაბინდული. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: კ-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია.

კატაფილაქსია (ბერძნ. kata —ქვემოთკენ მიმართულების აღმნიშვნელი თავსართი და phylaxis — დაცვა, თვითდაცვა), ადამიანისა და ცხოველთა დაზიანებული ქსოვილების მგრძნობელობის დაქვეითება დაავადების გამომწვევი მიკრობების მოქმედებისადმი. ტერმ. „კ." შემოიღეს (1919) ინგლ. მეცნიერებმა უ. ბულოკმა და უ. კრამერმა. კ. ქსოვილთა დაზიანებით გამოწვეული ნორმალური ფიზიოლ. და ბიოქიმ. თვისებების დარღვევის შედეგია და არა ორგანიზმის ფაგოციტური აქტივობის დაქვეითებისა (იხ. *ფაგოციტოზი*).

კატაფრაქტები, მძიმე ცხენოსანი ჯარი მაკედონიაში ძვ. წ. IV ს-ში. კ. შეიარაღებული იყვნენ გრძელი შუბებით, ატარებდნენ მუზარადსა და აბჯარს, თეძოებზე ჰქონდათ დამცავი ფირფიტები. ცხენებსაც შუბლს რკინის ფირფიტა უფარავდა. ბრძოლის დროს მოქმედებდა კ-ის კომპაქტური მასა, რ-თა კოლონასაც სოლისებური ან მოგრძო ფორმა ჰქონდა. კ. იყვნენ ალექსანდრე მაკედონელის არმიაში და მათ გადამწყვეტი შეტევების დროს იყენებდნენ.

კატაძრეზი (ბერძნ. katáchrēsis — ბოროტად გამოყენება) ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა შ ი, ლექსიკური მნიშვნელობით შეუთავსებადი სიტყვების შეხამება ფრაზაში, რის შედეგადაც წარმოიქმნება თავისებური აზრობრივი მთლიანობა; მაგ., თ ო ფ ი ს (ზარბაზნის და სხვ.) ს რ ო ლ ა (ზმნა „სროლა" უკავშირდება სიტყვას „ისარი"), წითელი მ ე ლ ა ნ ი (ბერძნ. mélas — შავი) და ა. შ. კ. გვხვდება როგორც მყარ ფრაზეოლოგიზმებში (რკინის ქალამნები, უშაბათო კვირა), ისე ცალკეულ გამონათქვამებში.

კატეგატი (Kattegatt), სრუტე იუტლანდიის ნ.-კ-ის აღმ. ნაპირსა და სკანდინავიის ნ.-კ-ის სამხრ.-დას. ნაწილს შორის. აკავშირებს ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს. სიგრძე დაახლ. 200 *კმ,* სიგანე 60 *კმ*-იდან (ჩრდ.) 122 *კმ*-მდე (სამხრ.). სიღრმეები 10—30 *მ,* ჩრდ-ში 50 *მ*-ზე მეტი. სრუტეში ორი დინებაა: ზედაპირული (ნაკლებ მარილიანი), ჩრდ-კენ მიმართული და სიღრმიული (უფრო მარილიანი), სამხრ-კენ მიმართული. სრუტე ზამთარში ნაპირებთან იყინება. თევზჭერა. მთავარი ნავსადგურია გეტებორგი (შვეცია).

კატეგორია ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი (ბერძნ. katēgoria — გამოთქმა, განსაზღვრება), მეცნიერებისა და ფილოსოფიის უზოგადესი ცნება. ასახავს უნივერს. ობიექტურ კავშირმიმართებას. ფილოს. კ-ები ყალიბდება საზ. პრაქტიკისა და აზროვნების განვითარების პროცესში. მოძღვრება კ-ზე ჩაისახა ჯერ კიდევ ძვ. ინდური ვაიშეშიკების (იხ. *ვაიშეშიკა*) ფილოს. სკოლაში, განვითარდა პითაგორელებთან და პლატონთან. კ-ების პირველი დიდი მკვლევარია არისტოტელე. სპეც. ნაშრომში „კატეგორიების შესახებ" მან განიხილა 10 კ.: სუბსტანცია, რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება, ადგილი, დრო, მდებარეობა, მდგომარეობა, მოქმედება, ვნება. სხვა შრომებში („მეტაფიზიკა", „ფიზიკა", „ანალიტიკები" და სხვ.) განიხილა აგრეთვე შესაძლებლობის, სინამდვილის, ზოგადის, ერთეულის, მიზეზობრიობის, აუცილებლობის, შემთხვევითობისა და ზოგიერთი სხვ. კ. უმთავრესად ონტოლოგიური ასპექტით. კანტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კ-ების შემეცნებით ფუნქციებს, მაგრამ დაამახინჯა მათი ბუნება, ვინაიდან ისინი აზროვნების აპრიორულ ფორმებად მიიჩნია. კ-ების ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური, ლოგიკური და მეთოდოლ. ფუნქციები მარქსიზმამდე ყველაზე სრულად გაარკვია ჰეგელმა, რ-მაც ბევრი საგულისხმო აზრი გამოთქვა კ-ების ურთიერთმიმართების დიალექტიკაზე, მაგრამ, როგორც ობიექტურმა იდეალისტმა, ისინი აბსოლ. იდეის განვითარების საფეხურებად მიიჩნია.

მარქსისტული ფილოსოფია კ-ების გაგების საკითხში ემიჯნება არა მარტო იდეალიზმს, არამედ მეტაფიზ. მატერიალიზმსაც, რ-ის მიხედვით, კ-ები ერთხელ და სამუდამოდაა მოცემული. ყოველი საგანი არის არსებისა და მოვლენის, შესაძლებლობისა და სინამდვილის, აუცილებლობისა და შემთხვევითობის, ზოგადისა და ერთეულის, ფორმის და შინაარსის და სხვ. ერთიანობა; ყოველი წყვილადი კ. მთელ სამყაროს ასახავს, მაგრამ მხოლოდ ერთი გარკვეული ასპექტით. მაგ., შესაძლებლობა და სინამდვილე ასახავს ყოველგვარ არსებულს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი განხორციელებულია და მოიცავს შემდგომი ცვალებადობის ტენდენციას; იგივე არსებული, რამდენადაც იგივეობრივია სხვა არსებულთან და ამავე დროს მკვეთრად განსხვავდება მათგან, აისახება ზოგადისა და ერთეულის კ-ებში. ასევე ითქმის სხვა კ-ების შესახებაც. კ-თა სისტემა კი ასახავს მთელ სინამდვილეს მისი მრავალრიცხოვანი კავშირ-მიმართებებით. კ-ები ადამიანთა პრაქტ. და შემეცნებითი მოღვაწეობის აუცილებელი წანამძღვრებია.

ადამიანის წინაშე არის ბუნების მოკლენათა ქსელი. პირველყოფილი ადამიანი, ველური, არ გამოყოფს თავისთავს ბუნებისაგან. კატეგორიები საფეხურებია გამოყოფისა, ე. ი. სამყაროს შემეცნებისა, საკვანძო პუნქტებია ქსელში, რ-ებიც გვეხმარებიან ამ ქსელის შემეცნებასა და დაუფლებაში.

ფილოს. კ-ები, ყოველგვარი ცოდნის საყრდენი პრინციპები, ლოგიკური სისტემატიზაციის იდეალური საშუალებებია. კ-ების ეს ფუნქციები თავისებურად ვლინდება ყოველ კერძო შემთხვევაში. მაგ., მიზეზობრიობის კ-ის ფუნქციონირება ფიზიკაში არსებითად განსხვავდება ამავე კ-ის მოქმედებისაგან ბიოლოგიაში. იგივე კ. ერთი ფორმით ვლინდება კლასიკურ მექანიკაში, ხოლო მეორე ფორმით — კვანტურ მექანიკაში.

ერთი და იგივე ფილოს. კ-ები განსხვავებულ მეთოდოლ. როლს ასრულებს ერთსა და იმავე მეცნიერებაში მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მაგ., კლასიკური მექანიკის დებულებებსა და კანონებში მოქმედებდა აუცილებლობის კ., კვანტური მექანიკის დებულებებსა და კანონებში კი ფუნქციონირებს აუცილებლობისა და შემთხვევითობის კ-ები. ამიტომ ამა თუ იმ მეცნიერებასთან მარქსისტული ფილოს. დაკავშირების ფორმა და ასპექტი ყოველ კერძო შემთხვევაში სპეციფიკურია. ერთი და იმავე მეცნ. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლება არა მხოლოდ ცალკეული კ-ების შინაარსი, არამედ მათი ადგილი და როლიც კერძო მეცნ. თეორიების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მაგ., კლასიკურ ფიზიკაში ძირითადად მეთოდოლ. ფუნქციას ასრულებდა მიზეზობრიობის კ., თანამედროვე ფიზიკაში კი ასეთი მნიშვნელობა ენიჭება სტრუქტურისა და სისტემის კ-ებს.

ლიტ.: ენგელსი ფ., ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954; ლენინი ვ. ი., ფილოსოფიური რვეულები, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 38; ბაკურია მ., ვ. ი. ლენინი მარქსისტული კატეგორიოლოგიის ზოგიერთი ძირითადი საკითხის შესახებ, თბ., 1969; ბაჩულაშვილი გ., კატეგორიების კავშირი კარლ მარქსის „კაპიტალში", თბ., 1961; დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1970; დიალექტიკური მატერიალიზმის ზოგიერთი კატეგორია, თბ., 1964; ცინცაძე გ., დიალექტიკური მატერიალიზმის მოძღვრება კატეგორიების შესახებ, თბ., 1970.

გ. ცინცაძე.

კატენოიდის მოდელი.

კატექინი.

კატეგორია გრამატიკული, ენობრივი საშუალებებით გამოხატული უზოგადესი გრამატიკული ცნება (მაგ., პირის კატეგორია წარმოადგენს იმ ზოგად შინაარსს, რაც აერთიანებს პირის პარადიგმაში შემავალ ფორმებს). გრამატ. კატეგორიებია: პირის, რიცხვის, სქესის, დროის, კილოსი, გვარის, ქცევისა და სხვ.

კატეგორიული იმპერატივი (ლათ. imperativus—ბრძანებითი), ი. *კანტის* ეთიკისა და პრაქტიკული ფილოსოფიის ძირითადი პრინციპი (ტერმ. შემოიღო ი. კანტმა). კანტი იმპერატივში გულისხმობს ობიექტური პრინციპის ფორმულას, რ-იც ვალდებულებათა მრავალნაირობაში ერთია და უცვლელი. იმპერატივი გულისხმობს ჯერარსს ანუ მორალურ აუცილებლობას. წინააღმდეგ ჰიპოთეტური იმპერატივისა, რ-იც გულისხმობს საშუალებას შესაფერისი მიზნისათვის, კ. ი. მოითხოვს საქციელს, რ-იც საყოველთაო კანონით იქნება განსაზღვრული. იგი ამბობს: „მოიქეცი ისე, რომ შენი ქცევის მაქსიმას ყოველთვის შეეძლოს ამავე დროს საყოველთაო პრინციპის მნიშვნელობა ჰქონდეს" (Кант И., Критика практического разума, Соч., т. 4, с. 260). „საყოველთაო კანონთა შესაბამისობა" ეხება ნებისყოფის ფორმას და არა მის საგანს ანუ მატერიას. მატერიისგან ნებისყოფის დამოუკიდებლობა, საყოველთაობა და აუცილებლობა (ანუ აპრიორულობა) ზნეობის კანონის არსებითი ნიშნებია. კ. ი. აბსოლუტურ ღირებულებად აცხადებს ადამიანს: „ყოველთვის მოეპყარი კაცობრიობას როგორც შენის სახით, ისე ყველა დანარჩენის სახით, როგორც მიზანს და არასოდეს როგორც მარტო საშუალებას".

მარქსიზმის კლასიკოსები აკრიტიკებდნენ კ. ი-ის ეთიკას მისი აბსტრაქტულობისა და ფორმალიზმის გამო. კონკრ.-ისტ. შინაარსის უქონლობა განაპირობებს კანტის ეთიკური პრინციპის უმწეობას რეალური სინამდვილის მიმართ.

გ. შუშანაშვილი.

კატეგორიული სილოგიზმი, იხ. *სილოგიზმი.*

კატენი (ლათ. catenae), ეგზეგეტიკურ მწერლობაში (იხ. *ეგზეგეტიკა*) დამკვიდრებული ჟანრი; ბიბლიური ტექსტის განმარტება-კომენტირება, რ-იც მიზნად ისახავს მისი გაგების გაადვილებას. კ-ები მიწერილი იყო ხელნაწერის გვერდის არშიებზე და ძირითადად რ-იმე მწერლის თხზულებიდან ამოღებულ განმარტებებს შეიცავდა; თუკი ავტორი ცნობილი იყო, მისი სახელი იქვე აღინიშნებოდა. ყველაზე ცნობილი კ-ების ავტორია *თომა აკვინელი.* ქართ. კ-ების თვალსაჩინო ნიმუშია ე. წ. კატენებიანი გელათის ბიბლია (XII ს., ხელნაწ. ინ-ტი, A—1108), რ-ის ხელნაწერი ამჟამად დაზიანებულია; კ. კეკელიძის ვარაუდით, ასეთი მთლიანი და სრული კ. ბიზანტიის მწერლობაშიც არ მოიპოვებოდა.

ლიტ.: კეკელიძე კ., თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფ., 1920; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; Блейк Р. П., О древнегрузинских версиях Ветхого Завета, «Известия Кавк. отделения Моск. археол. об-ва», 1921, в. 6.

უ. ცინდელიანი.

კატენოიდი (<ლათ. catena—ჯაჭვი და ბერძნ. eidos — სახეობა), ზედაპირი, რ-საც წარმოქმნის ჯაჭვნირი (იხ. *წირი*) თავისი ღერძის გარშემო ბრუნვით. განეკუთვნება ე. წ. მინ. ზედაპირთა კლასს. კ-ის ფორმას ღებულობს საპნის აფსკი (იხ. ნახ.), რ-იც „მოჭიმულია" მავთულის 2 წრეზე, რ-თა სიბრტყეები მათი ცენტრების შემაერთებელი წრფის პერპენდიკულარულია.

კატერი, იხ. *კატარღა.*

კატეფსინები (<ბერძნ. kathepsō—გადაგამუშავებ), ჰიდროლაზების კლასის უჯრედშიგა პროტეოლიზური ფერმენტები; *პეპტიდებსა* და *ცილებში* პეპტიდური ბმების ჰიდროლიზის კატალიზატორია. ფართოდაა გავრცელებული ცხოველურ და მცენარეულ ქსოვილებსა და მიკროორგანიზმებში. კ-ს ყოფენ ენდოპეპტიდაზებად, რ-ებიც ცილისა და პეპტიდების მოლეკულაში იწვევენ შიგა პეპტიდური ბმების ჰიდროლიზს, და ექტოპეპტიდაზებად, რ-ებიც მოქმედებენ ერთი ან რამდენიმე თავისუფალი კარბოქსილის ან ამინოჯგუფის მქონე შენაერთებზე. კ. კატალიზატორია აგრეთვე რეაქციებში, რ-თა შედეგად პეპტიდური ჯაჭვი გრძელდება.

კატექინები, მცენარეული წარმოშობის ფენოლური ნივთიერებები, მწარე გემოს მქონე უფერული კრისტალები. მათი წარმომადგენლებია კატექინი და ეპიკატექინი — სტერეოიზომერები. კარგად იხსნება წყალსა და სპირტში; შედის ხილისა (ვაშლი, ატამი, გარგარი, კომში, ყურძენი, ქლიავი, ალუბალი) და კენკრის შედგენილობაში. დიდი რაოდენობით (20—25% მშრალი მასის) არის ჩაის ახალგაზრდა ყლორტებში. მრეწველობაში ღებულობენ ჩაის ფოთლებისაგან. მაღალია კ-ის ბიოლ. აქტიურობა. კ-ს იყენებენ კვების მრეწველობაში, მედიცინაში და სხვ.

ლიტ.: Запромётов М. Н., Биохимия катехинов, М., 1964.

კატექოლამინები, თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი შრის ჰორმონები. აქტიურად მონაწილეობენ ცხოველებისა და ადამიანის ფიზიოლ. და ბიოქიმ. პროცესებში. ბუნებრივი კ-ია ადრენალინი, ნორადრენალინი და დოფამინი, რ-ებიც წარმოადგენენ ნერვული სისტემის *მედიატორებს,* ასახავენ და განსაზღვრავენ ნერვული სისტემის სიმპათიკური განყ-ბის მდგომარეობას. მონაწილეობენ ნეიროჰუმორულ რეგულაციასა და ნერვულ ტროფიკაში, ნივთიერებათა ცვლაში, ორგანიზმის შეგუებითს რეაქციებში, უზრუნველყოფენ ორგანიზმის შინაგანი გარემოსა და ფიზიოლ. ფუნქციების მუდმივობას (იხ. *ჰომეოსტაზი*). კ. შედის სისხლში, ორგანოებში, ქსოვილებში და შარდში. ფიზ. და ფსიქ. დაძაბულობისას, აგრეთვე ზოგიერთი დაავადების დროს (მაგ., *თირკმელზედა ჯირკვლის* ტვინოვანი შრის სიმსივნისას) კ-ის შემცველობა სისხლსა და შარდში მომატებულია. ორგანიზმში კ. მრავალნაირად გარდაიქმნება. ზოგიერთი ფარმაკ. პრეპარატი (რეზერპინი, პარგილინი, იპრონიაზიდი, ალდომეტი, გუანეტედინი და სხვ.) მოქმედებს კ-ის სინთეზის, გამოყოფის, დაგროვებისა და ცვლის სხვადასხვა ეტაპზე.

კატეხი, საქართველოს ისტორიული მხარის *ჰერეთის* მნიშვნელოვანი პუნქტი (ამჟამად სოფელი აზერბ. სსრ ბელაქნის რ-ნში). XI ს-ში კ. ჰერეთის ერთ-ერთი მსხვილი საეკლ. ცენტრი იყო. XVIII ს-ში ირან-ოსმ. აგრესიისა და დაღ. ფეოდალების გამუდმებული თავდასხმების შედეგად კახეთის სამეფოს ჩამოსცილდა აღმ. ნაწილი, რ-შიც კ-ც შედიოდა და ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქნელ ლეკთა ე. წ. *უბატონო თემები.*

თ. პაპუაშვილი.

კატეხიზისი (ბერძნ. katēchēsis — დარიგება, მითითება), 1. სახელმძღვანელო, რ-იც შეიცავს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებებს. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში კ. იყო ზეპირი დარიგება ქრისტიანობაზე მოსაქცევად, XVI ს-იდან — წიგნი, რ-იც პოპულარულად გადმოსცემს (ჩვეულებრივ, კითხვა-პასუხით) ქრისტ. ეკლესიის მოძღვრებას. მართლმადიდებლურ, კათოლ. და პროტესტანტულ ეკლესიებს აქვთ თავიანთი კ-ები. 2. გადატანითი მნიშვნელობით კითხვა-პასუხის სახით შედგენილი ნაწარმოები.

კატილინა ლუციუს სერგიუს (Lucius Sergius Catilina) (ძვ. წ. 108—ძვ. წ. 62), რომაელი პოლიტიკური მოღვაწე. 80-იან წლებში სულას სისხლიანი რეჟიმის აქტ. მონაწილე, პროსკრიფციების (სიკვდილმისჯილთა სიები) ერთ-ერთი ავტორი. 68 იყო პრეტორი, 67—66 პროვინცია აფრიკის პროპრეტორი. 66 თავისი კანდიდატურა წამოაყენა კონსულთა არჩევნებში, მაგრამ ბრალად დასდეს აფრიკაში მექრთამეობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და გააშავეს. ამისთვის კ-მ სცადა მოეხდინა სახელმწ. გადატრიალება, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. 64 და 63 წლებში კიდევ მონაწილეობდა კონსულთა არჩევნებში, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდა. 63 კონსულად აირჩიეს ციცერონი — კ-ს მთავარი მოწინააღმდეგე. კ. შეთქმულების გზას ადგა. იგი თავის მომხრეებს („კატილინარები") ჰპირდებოდა ვალების კასაციას, მდიდართა ქონების კონფისკაციას, უმაღლეს თანამდებობებს და სხვ. ციცერონმა ხელთ იგდო შეთქმულების უტყუარი საბუთები და რამდენიმე მონაწილეც შეიპყრო. კ-მ თავისიანების თავი მოუყარა ქ. პისტორიასთან (ეტრურია). აქ გამართულ ბრძოლაში კ. თავის მომხრეებთან ერთად დაიღუპა. კ-ს ბრწყინვალე მხატვრული სახე შექმნა ციცერონმა (კ-ს საწინააღმდეგო გამოსვლები) და ისტორიკოსმა სალუსტიუსმა.

ლ. სანიკიძე.

კატიონი (ბერძნ. kata—დაბლა და iōn — მიმავალი), დადებითად დამუხტული *იონი;* ელექტრულ ველში მოძრაობს უარყოფითი ელექტროდისაკენ — *კათოდისაკენ.*

კატიონიტები, *იონიტები,* რ-თაც აქვთ უნარი მიმოიცვალონ თავისი დადებითი იონები (კატიონები).

კატიპუნანი, ფარული ანტიესპანური პატრიოტული ორგანიზაცია ფილიპინებზე 1892—97. დააარსეს „ფილიპინების ლიგის" (პატრ. რევ. ორგანიზაცია) რევ.-დემოკრ.

ფრთის წარმომადგენლებმა ა. ბონიფასიომ, ე. ხასინტომ და სხვ. ლიგის დაშლის შემდეგ (საკუთარი ნებით, 1893 დამლევს) კ. მასობრივი სახ. ორგანიზაცია გახდა (100 ათ-ზე მეტი კაცი, 1896). ძირითადად აერთიანებდა გლეხობას, ქალაქის ღარიბობას, წვრილბურჟ. ინტელიგენციას. მისი საპროგრამო დოკუმენტები აცხადებდნენ ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას, მოუწოდებდნენ დაჩაგრულთა მფარველობისაკენ, ურთიერთდახმარებისა და სამშობლოს ინტერესებისათვის თავგანწირვისაკენ.

1896 აგვ. კ-ის ხელმძღვანელობით მოეწყო სახ. შეიარაღებული აჯანყება, რ-მაც ქვეყნის მთელ რიგ რ-ნებში დაამხო ესპ. კოლონ. ბატონობა. 1897 მარტში კ-ის მიერ შექმნილი რევ. ხელისუფლების ორგანოები შეცვალა ე. აგინალდოს ბურჟ.-მემამულურმა მთავრობამ. კ. ლიკვიდირებულ იქნა.

კატისებრი ლემური, კ ა ტ ა (Lemur catta), ნახევრად მაიმუნი საკუთრივ ლემურების გვარისა. მისი სხეულის სიგრძე 40 *სმ* აღწევს, კუდისა — 55 *სმ*. ზურგის მხარე და თავი რუხია, მუცლისა მოთეთრო, კუდზე 15—16 შავი რგოლი აქვს, მამალს მხარზე და წინამხარზე სურნელოვანი ჯირკვლები აქვს. ბინადრობენ კ. მადაგასკარის სამხრ.-დას. ნაწილში, ღია ადგილებში, კარგად ცოცავენ კლდეზე. იკვებებიან ლეღვისა და სხვა მცენარეების ნაყოფით. კარგად იტანენ ტყვეობას.

კატისებრნი (Felidae), ძუძუმწოვრების ოჯახი მტაცებლების რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 50—380 *სმ* აღწევს, მასა 1,5—275 *კგ*. აქვთ კუნთოვანი და მოქნილი სხეული, მოკლე ფეხები, ჩამალული ან ნახევრად ჩამალული ბრჭყალები. თითითმავალი მტაცებლებია. ტყის კატები ღია ფერისანი არიან, ველისა და უდაბნოს სახეობები — ყვითელი ან ქვიშისფერი. გავრცელებული არიან ყველა მატერიკზე ავსტრალ., მისი მოსაზღვრე კ-ებისა და მადაგასკარის გარდა. ბინადრობენ ტყეში, მდინარის სანაპიროზე, ველზე, უდაბნოში, ალპურ ზონაში. ბინდისა და ღამის ცხოველებია. ცხოვრობენ ცალ-ცალკე ან ოჯახებად. კ-თა მრავალი წარმომადგენელი კარგად დაცოცავს ხეზე ან ცურავს. იკვებებიან ძუძუმწოვრებით, ფრინველებით, ქვეწარმავლებით, თევზებით, ზოგჯერ მწერებითაც. მსხვერპლს უმთავრესად უსაფრდებიან ან ეპარებიან, შემდეგ კი თავს ესხმიან დიდი ნახტომით (მარტო ავაზა იჭერს მსხვერპლს დადევნებით). აერთიანებს 3 გვარის (*კატა, ჯიქი, ავაზა*) 37 სახეობას. მათგან სსრკ-ში გვხვდება 12 სახეობა, საქართველოში — 4. დედალი სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 12—15 თვისა. მაკეობა 55—270 დღე გრძელდება, შობენ 2—6 ნაშიერს. კ. ცოცხლობენ 30 წლამდე. სარეწაო ცხოველებია, ზოგან ზიანს აყენებენ მეცხოველეობას. ლომებს და ვეფხვებს ზოგ ქვეყანაში იცავენ.

ლიტ.: Б р е м А., Жизнь животных, т 5, М., 1941; Млекопитающие Советского Союза, т. 2, ч. 2, М., 1972.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 496.

კატისთვალა გველი (Telescopus), გველების გვარი *ანკარასებრთა* ოჯახისა. თვალის გუგა სინათლეზე ვერტიკალურადაა შევიწროებული და კატისას მოგვაგონებს. აქვთ ღარიანი შხამიანი კბილები. გავრცელებულია ევროპაში, სამხრ.-დას. აზიასა და აფრიკაში. სსრკ-ში (ამერკავკასიაში) 1 სახეობაა — ჩვეულებრივი კ. ბ.—T. fallax, რ-იც ცნობილია აღმ. და სამხრ. საქართველოში. ბინდისა და ღამის ცხოველია. იკვებება პატარ-პატარა ცხოველებით. ადამიანისათვის უვნებელია, კბილების მდებარეობა დაშხამვის საშუალებას არ იძლევა. *თ. მუსხელიშვილი.*

კატისფერი, მწვერვალი კედელას ქედზე, მდ-ების ჭანჭახისა და გომულის (რიონის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3200 *მ*. აგებულია ზედაიურული და ქვედაცარცული ფლიშური წყებით. კალთები შემოსილია ალპ. მდელოებით. *ლ. მარუაშვილი.*

„კატიუშა“, საველე რეაქტიული არტილერიის ულულო სისტემების არაოფიციალური სახელწოდება. პირველად გამოიყენეს დიდ სამამულო ომში (1941—45). 1921 აირდინამ. ლაბორატორიაში ნ. ტიხომიროვმა და ვ. არტემიევმა დაიწყეს უკვამლო დენთზე რეაქტიული ჭურვის (რს) დამუშავება. სხვადასხვა კალიბრის რეაქტიული ჭურვების—„კ-ს“ ჭურვის პროტოტიპების, აგრეთვე მრავალმუხტიანი საავიაციო და ერთმუხტიანი სახმელეთო გასაშვები დაზგების ოფიც. გამოცდა 1929—33 განხორციელდა. მისი საბოლოო დამუშავება ხდებოდა რეაქტიულ სამეცნ.-კვლევით ინ-ტში გ. ლანგემაკის ხელმძღვანელობით. 1937—38 ამ რეაქტიული ჭურვებით (რს-82, რს-132) შეიარაღდა სამხ.-საჰაერო ძალები. ისინი წარმატებით გამოიყენეს ხალხინ-გოლთან ბრძოლებში (1939). 1938—41 რეაქტიულ ინ-ტში ი. გვაიმ, ვ. გალკოვსკიმ, ა. პავლენკომ და სხვ. შექმნეს სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული მრავალმუხტიანი გასაშვები დანადგარი. დიდი სამამულო ომის წინ რს მ-13-ით და გასაშვები დანადგარი ბმ-13-ით შეიარაღდა არტილერია. „კ.“ გერმ. ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ პირველად 1941 წ. 14 ივლ. გამოიყენეს. ომის პერიოდში შეიქმნა რეაქტიული ჭურვისა და გასაშვები დანადგარის სხვადასხვა ვარიანტი.

კატმაი (Katmai), მოქმედი ვულკანი ჩრდ. ამერიკაში, ალასკის ნ.-კ-ზე, ალეუტის ქედის ჩრდ. ნაწილში. სიმაღლე 2298 *მ*. 1912 წ. 6 ივნისს მოხდა უდიდესი ამოფრქვევა; კრატერის ადგილზე წარმოიშვა კალდერა ტბით, რ-ის დიამეტრია 1,5 *კმ*, სიღრმე დაახლ. 1200 *მ*. კ-ს კალთების ქვედა ნაწილი შემოსილია ფიჭვის ტყით, ზედა ნაწილში მთის ტუნდრაა. ჩრდ.-აღმ. კალთაზე — მყინვარები.

კატმანდუ, ნეპალის დედაქალაქი. ქვეყნის ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია მდ. ბაგმატის გასწვრივ, ჰიმალაის მთათაშუა ქვაბულში, 1360 *მ* სიმაღლეზე. ჰავა მუსონური, მთის, ტროპიკული. ივლ. საშ. ტემპ-რა 24,5°C, იანვრისა 18,3°C. ნალექები დაახლ. 1400 *მმ* წელიწადში. ხშირია მიწისძვრა (ძლიერ დაზიანდა 1833 და 1934). 180 ათ. მცხ. (1978).

კ-ს დაარსებას (XVI ს-მდე კ ა ნ ტ ი პ უ რ ი) მიაწერენ ნეპალის გამგებელს გუნაკამადეევას (VIII ს.), რ-მაც თავისი სახელმწიფოს დედაქალაქი ლალიტპურიდან კ-ში გადაიტანა. ადრეული მალას დინასტიის ბატონობის (XIII—XV სს.) დროს კ. ინარჩუნებდა ნეპალის ხეობის პოლიტ. ცენტრის მნიშვნელობას. ადრეული მალას სახელმწიფოს დაცემის შემდეგ კი, 1482—1769, იყო იმავე სახელწოდების საუფლისწულო სამთავროს ცენტრი. 1769-იდან არის ნეპალის დედაქალაქი.

კ. ქვეყნის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია, საავტ. გზების გზაჯვარედინი. აეროპორტი (საჰაერო მიმოსვლა ნეპალის სხვა ქალაქებთან, აგრეთვე ინდოეთთან, ბანგლადეშთან, ბირმასთან, ტაილანდთან). ქალაქსა და მის გარეუბნებში თავმოყრილია მრავალი შინამრეწველური სამხატვრო სახელოსნო (ამზადებენ გამოყენებითი ხელოვნ. საგნებს, საოუველირო ნაკეთობებს) და ცალკეული საწარმო (ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო, სარემონტო-მექან., თუნის, აგურ-კრამიტისა და სხვ.).

კ-ს ცენტრია ტუნდიქელის მოედანი, რ-ის მახლობლად მდებარეობს მეფის სასახლე ნარაიანხიტი დარბარი (ნეოკლასიკა, XX ს. დასაწყ.). ძვ. კვარტლების ვიწრო ქუჩები განაშენიანებულია 2—3-სართულიანი სახლებით. არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: ხის პაგოდა კათ მანდირი (კასტამანდაპი; 1596), სასახლეთა და ტაძართა კომპლექსი „ხანუმან დჰოკა“ (XV—XVIII სს.). 1951 რევ. მებრძოლთა ძეგლი. კ-ს მახლობლადაა სტუპა ბოდჰნათი და VI—VIII სს. ბუდისტური რელიეფებით შემკული არქიტ.-სკულპტურული კომპლექსი სვაიამბჰუნათი (ორივე ნაგებობა — ძვ. წ. III ს.; გადაკეთებულია VIII—IX სს.), ინდუისტური ტაძრების კომპლექსი პაშუპატინათი (დაარსდა XIII ს.).

კ-ში არის უნ-ტი, კოლეჯები, ნეპალის სამეფო აკად., ბ-კები, ნეპალის ეროვნ. მუზეუმი.

კატოვიცე (Katowice), ქალაქი სამხრ. პოლონეთში, კატოვიცეს სავოევოდოს ადმ. ცენტრი. 349,7 ათ. მცხ. (1978). ზემო სილეზიის აგლომერაციის უდიდესი ქალაქი. სარკინიგზო კვანძი. მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრი. ქვანახშირის მოპოვება (ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზი), შავი და ფერადი მეტალურგია (მ. შ. თუთიის, ტყვიის, ფერადი ლითონების ნაგლინის წარმოება), მანქანათმშ. (სამთო, ამწე-სატრანსპ., ელექტროტექნიკა), ქიმ. (სუპერფოსფატი და სხვა ქიმიკატები), ფაიფურის, კეკების, პოლიგრ. მრეწველობა. უნ-ტი (1968-იდან), უმაღლესი ეკონ. სკოლა, სამხატვრო აკადემია.

„კ-ს“ სახელწოდებით წყაროებში პირველად 1598 იხსენიება. 1742-იდან ეკუთვნოდა პრუსიას. 1865 მიიღო გერმ. საქალაქო უფლება. განიცადა ძლიერი გერმანიზაცია. 1919—21 იყო ზემო სილეზიის პოლ. მოსახლეობის ეროვნ. და სოც. გათავისუფლებისათვის შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ცენტრი. 1922 წ. 20 იანვ. ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებით დაუბრუნდა პოლონეთს. 1939 სექტ. დაიკავეს გერმ. ფაშისტთა ჯარებმა. 1945 წ. 28 იანვ. გაათავისუფლეს უკრ. I ფრონტის ჯარებმა.

კატისებრი ლემური.

კატმანდუ. საერთო ხედი.



კატოვიცე. სილეზიელ აჯანყებულთა ძეგლი. ქვა. მოქანდაკე კ. დუნიკოვსკი. 1949—52. კატოვიცეს მახლობლად.

კ-ს ისტ. ბირთვია სრულმეტიეს რ-ნი. 1945 შემდეგ ქალაქი ინტენსიურად გაიზარდა. 1958 შეიქმნა ახ. ცენტრი, აშენდა საზ. და საცხოვრ. შენობები: უნივერმაღი „ზენიტი“ (1962), კინოთეატრი „კოსმოსი“ (1959—65), სპორტ. დარბაზი (1960-იანი წწ.), მრავალსართულიანი სახლები კოშუტკის, მარხლევსკისა და სხვა რ-ნებში. სილეზიელ აჯანყებულთა ძეგლები დგას საბჭ. არმიის ქუჩაზე (ქვა, 1960-იანი წწ., მოქანდაკე გ. ზემლა, არქიტ. ვ. ზაბლოცკი) და კ-ს მახლობლად (ქვა, 1949—52, მოქანდაკე კ. დუნიკოვსკი).

კატოვიცეს სავოევოდო (Województwo Katowickie), ადმ. ერთეული სამხრ. პოლონეთში. ფართ. 6,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 3615,6 ათ. კაცი (1978), მ. შ. დაახლ. 80% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. კატოვიცე. კ. ს-ს ტერიტორიაზეა *ზემო სილეზიის ქვანახშირის აუზის* დიდი ნაწილი. მრეწველობაში დასაქმებულთა 3/5 თავმოყრილია ზემო სილეზიის აგლომერაციაში. კ. ს. იძლევა ქვეყნის მრეწვ. პროდუქციის დაახლ. 1/5-ს, ფოლადისა და კოქსის წარმოების დაახლ. 1/2-ს, თუთიის — დაახლ. 4/5-ს, ქვანახშირის მოპოვების თითქმის 9/10-ს, რკინის მადნის — 3/4-ზე მეტს, ტყვია-თუთიის მადნის — დაახლ. 1/2-ს, ელექტროენერგიის წარმოების 1/6-ს. განვითარებულია მანქანათმშ., საშენ მასალათა წარმოება, ქიმ., კეკების, საფეიქრო მრეწველობა. მთავარი სას.-სამ. კულტურებია კარტოფილი და ჭვავი. განვითარებულია მებოსტნეობა და სარძეო-სახორცე მესაქონლეობა.

კატო-კამბრეზის ზავი 1559, ორი საზავო ხელშეკრულება, ორ-ითაც დასრულდა *იტალიური ომები* (1494 — 1559). ხელი მოაწერეს კატო-კამბრეზში (Cateau-Cambrésis, საფრანგეთი) 2 აპრ. საფრანგეთმა და ინგლისმა, 3 აპრ. საფრანგეთმა და ესპანეთმა. I ხელშეკრულებით ინგლისი საფრანგეთს უბრუნებდა კალეს (საფრანგეთს 8 წლის განმავლობაში უნდა გამოესყიდა იგი 500 ათ. ეკიუდ), II ხელშეკრულებით საფრანგეთი უარს ამბობდა

მ. კატუკოვი.

კ. კატუშევი.

იტალიაზე, გენუას უბრუნებდა კორსიკას, ათავისუფლებდა 1536 ოკუპირებულ პიემონტსა და სავოიას (ისინი კვლავ სავოიის ჰერცოგს უბრუნდებოდა), მხოლოდ პიემონტის 5 ციხესიმაგრეში (ტურინი, კიერი, პინეროლო, კივასო, ვილანოვა-დ'ასტი) რჩებოდა საფრ. გარნიზონი. კ.-კ. ზ-მა განამტკიცა ესპ. ბატონობა მილანის საჰერცოგოში, ნეაპოლის სამეფოში, სიცილიასა და სარდინიაში.

ლიტ.: Ruble A. de, Le traité de Château-Cambrésis, P., 1889.

კატონა (Katona) იოჟეფ (11. XI. 1791, კეჩკემეტი, — 16. IV. 1830, იქვე), უნგრელი დრამატურგი. მისი პიესები „�uja" (1813), „იერუსალიმის დალუპვა" (1814) და სხვ. ისტ. თემაზეა შექმნილი. აღიარება მოუტანა ტრაგედია „ბანკ ბანმა" (1815), რ-შიც ასახა უნგრ. ხალხის ბრძოლა ჰაბსბურგთა წინააღმდეგ. „ბანკ ბანი" წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახელმწ. თეატრის სცენაზე (1970—75, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე). *ჯ. გაგნიძე.*

კატონი მარკუს პორციუს უფროსი (Marcus Porcius Cato Major) (ძვ. წ. 234 — ძვ. წ. 149), ძვ. რომის პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი, რომაული პროზის ფუძემდებელი, პირველი რომაელი ისტორიკოსი. 218—201 მონაწილეობდა II პუნიკურ ომში. 205 იყო კვესტორი, 199—ედილი, 198 — სარდინიის პრეტორი, 195 აირჩიეს კონსულად. მსხვილი მიწათმფლობელი ჰ. რომის დაპყრობითი პოლიტიკის ენერგიული მომხრე იყო; დაჟინებით მოითხოვდა კართაგენის რესპ. აღგვას პირისაგან მიწისა. მრავალმხრივი იყო კ-ის ლიტ. მოღვაწეობა. ცდილობდა შეექმნა ცოდნის საკუთარი სისტემა, ილაშქრებდა ბერძნ. განათლების წინააღმდეგ და რომაულ ეროვნ. ნიადაგზე ქმნიდა სახელმძღვანელოთა მთელ სერიას პრაქტ. მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში. კ-ის შემოქმედებაში უმთავრესი იყო ორი თხზულება: „საწყისები" და „მიწათმოქმედებისათვის". „საწყისები" იყო რომის პირველი ისტორია (რომის დაარსებიდან II პუნიკურ ომამდე) ლათ. ენაზე, დაწერილია პროზით. შეიცავდა 7 წიგნს. ჩვენამდე მოაღწია ძუნწი ფრაგმენტების სახით. ტრაქტატი „მიწათმოქმედებისათვის" წარმოადგენს პრაქტ. სახელმძღვანელოს სოფ. მეურნეობაში და რესპ. რომის მსხვილ მიწათმფლობელურ მეურნეობას ასახავს. კ-ს ეკუთვნის სხვა თხზულებებიც: „რიტორიკა", ტრაქტატი „შვილისადმი", ლექსი „ადათებისათვის", ტრაქტატი „სამხედრო საქმისათვის" (მოღწეულია ნაწყვეტები). ახ. წ. IV ს-იდან კ-ს მიაწერდნენ ბრძნულ გამონათქვამთა კრებულის ავტორობას. აღორძინების ხანის ქართ. მწერლობაში მოიპოვება აპოფთეგმების რამდენიმე კრებული, რ-ებშიც კ-ის სახელით ცნობილი ნაკვესებიცაა შესული.

თხზ.: De agricultura, ed. A. Mazzarino, Lipsiae, 1962; [წიგნში] Oratorum romanorum fragmenta, ed. E. Malcovati, 2 ed., t. 1, Torino, 1955.

ლიტ.: ურუშაძე ა., კატონ უფროსი, საიუბილეო კრებული [ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე], თბ., 1974, გვ. 211—224. *ა. ურუშაძე.*

კატოპტრიკული სისტემები (<ბერძნ. katoptrikos — სარკული), მხოლოდ ამრეკლი ზედაპირებისაგან (სარკეებისაგან) შედგენილი ოპტიკური სისტემები, მაგ., პარაბოლური სარკეები და ა. შ.

კატორღა (<ბერძნ. katergon—გალერა), საკატორღო სამუშაოები, ექსპლუატაციურულ სახელმწიფოებში სასჯელის საგანგებო სახე, — თავისუფლების აღკვეთა, რ-იც დაკავშირებულია მძიმე იძულებით მუშაობასთან განსაკუთრებით მკაცრ პირობებში. ტერმ. „კ." შუა საუკუნეებში გაჩნდა და აღნიშნავდა მსჯავრდებულის გაგზავნას მენიჩბედ გემ-გალერაზე. დას. ევროპაში კატორღელებს ამუშავებდნენ საპყრობილეებში, აგრეთვე დიდ ნავსადგურებში, მაღაროებში და სხვ. წესად იყო მიღებული მათი დადაღვა, სამარცხვინო ბოძთან დაყენება და სხვ. მისთ.

რუსეთში კ. შემოიღეს XVII ს. მიწურულს. კანონმდებლობა ითვალისწინებდა ვადიან და სამუდამო კ-ს. კატორღელთა შრომა გამოიყენეს პეტერბ. გასაზნენებლად, ნავსადგურების, გზების მშენებლობაზე, ურალისა და ციმბირის სახაზინო მაღაროებში. კ. მიესაჯა კ. ბულავინისა და ე. პუგაჩოვის სახ. მოძრაობის მონაწილეებს. 1765 თავადაზნაურობას მიენიჭა ყმა გლეხთა კ-ში გაგზავნის უფლება. XIX ს. შუა წლებში კატორღელთა შორის თანდათანობით მატულობდა პოლიტ. პატიმართა რიცხვი (*დეკაბრისტები* და სხვ.). XIX—XX სს. მიჯნაზე პოლიტკატორღელებში მუშები, სოციალ-დემოკრატები ჭარბობდნენ. სტოლიპინის რეაქციის წლებში საკატორღო ცენტრალები (ციხეები) იყო ტობოლსკში, მოსკოვში (ბუტირკის საპყრობილე), შლისელბურგში, ორლოვსკში და სხვ. კ. გაუქმდა 1917 მარტში, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ.

კატრენი (ფრანგ. quatrain < quatre — ოთხი), დასრულებული აზრის მქონე ოთხტაეპიანი სტროფი. კ-ის რითმების ძირითადი სქემებია aaaa (მონორითმიანი კ.), abab (ჯვარედინრითმიანი კ.), aabb (მოსაზღვრე ანუ პარალელურრითმიანი კ.), abba (რკალურრითმიანი კ.) და სპარსულიდან მომდინარე aaba (რობაი). კ-ის ნიმუშია

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვადა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.
(გ. ტაბიძე).

კატსი (Cats) იაკობ (10. XI. 1577, ბრაუვერსპავენი, — 12. IX. 1660, ზორგვლიტი, ჰაგის ახლოს), ნიდერლანდელი პოეტი. წერა 40 წლისამ დაიწყო. მისი თხზულებები მეტწილად დიდაქტ. ხასიათისაა, დაწერილია მკაცრი კალვინისტური მორალის სულისკვეთებით („ქორწინება", 1625; „ძველი და ახალი დროების სარკე", 1632; „საქორწინო ბეჭედი", 1637; „სიბერე, სოფლის ცხოვრება და ფიქრები მეურნეობის თაობაზე ზორგვლიტში", 1656; „ოთხმოცწლიანი ცხოვრება", 1657). ჰ. შესანიშნავი მთხრობელია, კარგად იყენებს აფორიზმებსა და ხალხ. ანდაზებს.

კატუკოვი მიხეილ ეფიმის ძე [4 (17). IX. 1900, სოფ. ბოლშოე-უვაროვო, ახლანდ. ოზიორსკის რ-ნი, მოსკ. ოლქი,— 10. VI. 1976, მოსკოვი], საბჭ. მხედართუფროსი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი (1959). ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (23. IX. 1944 და 6. IV. 1945). სკკპ წევრი 1932-იდან. საბჭ. არმიაში იყო 1919-იდან. სამოქალაქო ომის მონაწილე. დაამთავრა გენშტაბის სამხ. აკადემიასთან არსებული უმაღლესი აკად. კურსები (1951). 1938—41 მეთაურობდა სატანკო ბრიგადას, დივიზიას. დიდ სამამულო ომში (1941—45) იყო სატანკო დივიზიის, სატანკო ბრიგადის, სატანკო და მექანიზებული კორპუსების მეთაური, 1943 იანვრიდან 1-ლი გვარდიული სატანკო არმიის სარდალი. ომის დამთავრების შემდეგ ეჭირა საპასუხისმგებლო თანამდებობები საბჭ. შეიარაღებულ ძალებში. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 13 საბჭ. და უცხოური ორდენითა და მედლებით.

კატულუსი გაიუს ვალერიუს (Catullus Gajus Valerius) (ძვ. წ. 87 ან 84, ვეროონა, — ძვ. წ. 54, რომი), რომაელი პოეტი, ლირიკოსი, პიროვნული ლირიკის ერთერთი ფუძემდებელი რომაულ პოეზიაში. რომში იგი დაუახლოვდა ნეოტერიკოს (მაშინდელი მოდერნიზმის მიმართულება) პოეტთა ჯგუფს. სამოქალაქო ომითა და იულიუს კეისრის ანტირესპუბლიკური პოლიტიკით უკმაყოფილო ჩაეფლო არისტოკრ. ფუქსავატურ ცხოვრებაში, შეუყვარდა სილამაზით განთქმული ქალი, რ-საც თავის ლექსებში ლესბიას უწოდებს (ნამდვილი სახელი კლოდია უნდა ყოფილიყო). კ-ის ჩვენამდე მოღწეული კრებ. შეიცავს 116 ლექსსა და 3 ნაწილად იყოფა: 1. სხვადასხვა მეტრული საზომით შეთხზული მცირე ლექსები (1—60); 2. ელინისტური პოეზიის ჰანგებზე აგებული დიდი ლექსები (61—68; ორი საქორწინო ეპითალამია), ეპილიონები „ატისი", „პელეუსისა და თეტიდას ქორწილი", კალიმაქეს ეპილიონის „ბერენიკეს ნაწნავის" თავისუფალი თარგმანი, პოეტის დიალოგი ვეერონაში ერთი სახლის კართან, ორი ავტობიოგრ. გზავნილი; 3. ელეგიური დისტიქებით გამართული ეპიგრამები. კ-ის პოეზია მრავალფეროვანია როგორც ფორმით (ლექსთა მეტრული ნაირსახეობით), ისე მოტივებით, მთავარი ადგილი სატრფიალო თემას უჭირავს (ლესბიასადმი მიძღვნილი 31 ლექსი). კ. თავის პოეზიაში ეყრდნობოდა როგორც ელინისტურ ლირიკას, ისე ეოლიურ მელიკას და, უწინარეს ყოვლისა, საფოს. მისთვის დამახასიათებელია ხათელი იუმორი, მძაფრი სატირა. კ-ის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა ევრ. მწერლებზე.

თხზ.: Catullus, hrsg. von W. Kroll, Lpz., 1929; Catullus, ed. M. Schuster, curavit W. Eisenhut, Lipsiae, 1958.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1971; История римской литературы, т. 1, М., 1959. *ა. ურუშაძე.*

კატუშევი კონსტანტინე თეოდორეს ძე (დ. 1. X. 1927, სოფ. ბოლშოე-ბოლდინო, გორკის ოლქი), საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1952-იდან. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. 1951 დაამთავრა ა. ჟდანოვის სახ. გორკის პოლიტექ. ინ-ტი. 1951—57 გორკის ავტოქარხანაში მუშაობდა კონსტრუქტორად, უფროს კონსტრუქტორად, წამყვან კონსტრუქტორად, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილედ. 1957—68 პარტ. სამუშაოზეა გორკიში, 1963—65 სკკპ გორკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1965-იდან სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1968—77 სკკპ ცკ-ის მდივანი. 1977 მარტიდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავრის მოადგილე, სსრკ წარმომადგენელი ეკონომიკურ ურთიერთდახმარების საბჭოში. პარტიის XXII—XXV ყრილობების დელეგატი. XXIII—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. სსრკ VII—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

კაუზალობა (ბერძნ. kausis — წვა და algos — ტკივილი), ავადმყოფური მდგომარეობა, მწვავე, შეტევითი ხასიათის პროგრესული ტკივილი. ვითარდება სიმპათიკური ბოჭკოებით მდიდარი კიდურების ნერვული ღეროების დაზიანების შედეგად. დაზიანებიდან 10—15 დღის შემდეგ იწყება კიდურის ტკივილი, რასაც დაერთვის მნიშვნელოვანი სისხლძარღვოვანი, სეკრეტორული და ტროფიკული ცვლილებები. ხელის დაზიანების დროს ეს ცვლილებები, ისევე როგორც მწვავე ტკივილი, ზოგჯერ მოიცავს კისერსა და გულ-მკერდის ზედა ნაწილს, ფეხის დაზიანებისას—მუცლის ქვემო ნაწილს. ტკივილი ძლიერდება უმნიშვნელო მოძრაობის, შეხების, აგრეთვე ემოციების, სინათლისა და ხმაურის ზეგავლენით; კანის გაგრილება და დანამვა ჩვეულებრივ ამცირებს ტკივილს. განარჩევენ კ-ის ორ ფორმას — იშემიურს (კიდურების გაცივება და სიფერმკრთალე, ტროფიკული ცვლილებები) და უფრო მსუბუქად მიმდინარე ჰიპერემიულ ფორმას. მკურნალობა: დაზიანებულ ნერვულ ღეროში ან სიმპათიკურ კვანძებში ნოვოკაინისა და სპირტის შეყვანა, განგლიობლოკირებული საშუალებები, ფიზიოთერაპია (ელექტროფორეზი ნოვოკაინთან ერთად, რენტგენოთერაპია); უშედეგო კონსერვატული მკურნალობის დროს—ქირურგ. ოპერაცია (ნერვის განთავისუფლება ნაწიბურებისაგან და სხვ.).

კაუზალობა, იხ. *მიზეზობრიობა.*

კაუზატივი (<ლათ. causa — მიზეზი), ზმნის ფორმა, რ-იც აღნიშნავს, რომ სუბიექტი მოქმედებას უშუალოდ თვითონ კი არ ასრულებს, არამედ სხვა პირის მეშვეობით (მაგ., ის ა-წერ-ინ-ებ-ს მას წერილს, სადაც პრეფიქსი ა- და სუფიქსი -ინ- ქ-ის ფორმანტებია). კაუზატიური ზმნა ყველა გარდამავალია. ქ. ფართოდაა გავრცელებული მთის იბერიულ-კავკ. ენებში. იხ. აგრეთვე *კონტაქტი.*

კაუკა (Cauca), მდინარე კოლუმბიაში, მდ. მაგდალენას მარცხ. შენაკადი. სიგრძე 1350 *კმ* (სხვა მონაცემებით — 1050 *კმ*), აუზის ფართ. დაახლ. 80 ათ. *კმ*². სათავე აქვს ცენტრ. კორდილიერის სამხრ. ნაწილში. მიედინება გაინერ და ღრმა ტექტონ. ხეობაში ცენტრ. კორდილიერასა და დას. კორდილიერას შორის. მთებიდან გამოსვლისას კვეთს კარიბისპირა დაბლობს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. წყლის საშ. წლ. ხარჯი დაახლ. 2000 *მ*³/*წმ*. სანაოსნოა ორ მონაკვეთზე— კალიდან კარტაგომდე და ანტიოკიიდან შესართავამდე.

კაულერპა (Caulerpa), მწვანე წყალმცენარეების გვარი სიფონოვანთა რიგისა. მოიცავს 60-მდე სახეობას, გავრცელებულია ტროპ. და სუბტროპ. ზღვებში. მათი თალუსი ერთი მრავალბირთვიანი დიპლოიდური უჯრედია, რ-ის მოპირდაპირე კედლები ერთმანეთთან დაკავშირებულია ცელულოზოვანი ჩიდაკებით (სიფონოვანი აგებულება); შედგება 1 *მ*-მდე გაწოლილი დატოტვილი ნაწილისაგან, რიზოიდებისა და 30 *სმ*-მდე სიგრძის ფოთლის მსგავსი ვერტიკალური ყლორტებისაგან. მრავლდება სქესობრივად (იზოგამია) და ვეგეტატიურად

კაულიფლორია (ბერძნ. kaulos — ღერო, ზრო, ტანი და ლათ. flos, ნათ. floris — ყვავილი), ყვავილების განვითარება პირდაპირ ღეროსა და ხნიერ ტოტებზე. მეტწილად ახასიათებს ტროპ. მცენარეებს (კაკაო, პურის ხე, ზოგი ფიკუსი), გვხვდება აგრეთვე შუა სარტყლის მცენარეებში (მაჯაღვერი).

კაუნასი (ყოფ. კ ო ვ ნ ო), ქალაქი ლიტვ. სსრ-ში, ნავსადგური მდ. ნიამუნასის ნაპირზე. გაშენებულია ტერასებზე მდ-ების ნიამუნასისა და ნიარისის შესართავთან. ქალაქთან ახლოს აგებულია კაუნასის წყალსაცავი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 370 ათ. მცხ. (1979).

წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება XI ს. დასაწყისში. XIV—XV სს-ში ქ-ის ციხესიმაგრეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმ. ჯვაროსან რაინდთა წინააღმდეგ ლიტვ. ხალხის ბრძოლაში. XV ს-იდან ქალაქში განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. 1569 ლუბლინის უნიით შეუერთდა რეჩ პოსპოლიტას. 1795 შევიდა რუს. შემადგენლობაში. 1843-იდან კოვნოს გუბ. ცენტრია. 1918 წ. 21 დეკ. ქ-ში შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო, რ-იც 1919 წ. 10 იანვ. გაანადგურეს გერმ. ოკუპანტებმა და ადგილ. ბურჟუაზიამ. 1920-იდან ქ. იყო ბურჟ. ლიტვ. დედაქალაქი. 1920—40 რევ. მოძრაობის ცენტრია. 1940 წ. 21 ივლ. ლიტვის სახ. სეიმზე გამოცხადდა საბჭ. ხელისუფლება და შეიქმნა ლიტვ. სსრ, რ-იც 1940 წ. 3 აგვ. შევიდა სსრკ შემადგენლობაში. 1941 წ. 24 ივნ-იდან 1944 წ. 1 აგვ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქი ძლიერ დაინგრა. ომის შემდგომ პერიოდში აშენდა 30-ზე მეტი დიდი სამრეწვ. საწარმო. შეიქმნა მრეწვ. ახ. დარგები: ქიმ., რადიოტექ., ჩარხთ- და ხელსაწყოთმშენებლობა, აშენდა კაუნასის ჰესი. გარდაიქმნა და გაფართოვდა ძვ. საწარმოები. მრეწვ. მთავარი დარგებია მანქანათმშ., ლითონდამუშავება, მსუბუქი და კვების მრეწველობა. 1965 აშენდა ხელოვნური ბოჭკოს ქ-ნა. არის აგრეთვე ავეჯისა და ხის დასამუშ. კომბინატები, ქალალდის ფ-კა.

ძვ. ქალაქის ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: ციხე-დარბაზი (XIII-XVII სს.), ვიტაუტასის ეკლესია (დაიწყო 1400), პიატრო ირ პოვილოს კათედრალური ტაძარი (XV ს., დამთავრდა XVII ს.)— ყველა გოთიკური სტილისა; მასალსკების ყოფ. სასახლე (XVII ს. დასაწყ., რენესანსი), იეზუიტების ეკლესია (1666—1725, ბაროკო), რატუშა (1542, გადაკეთებულია XVIII ს.). ძვ. ქალაქის აღმ-ით განაშენიანდა რეგულარულად დაგეგმარებული ახ. ქ., ააგეს ფსევდობიზანტ. სტილის საგარნიზონო ტაძარი (ახლა ვიტრაჟისა და ქანდაკების გალერეა; 1890—95, არქიტ. კ. ლიმარენკო). 1920—40-იან წლებში აშენდა: ბანკი (1924—29, არქიტ. მ. სონგაილა, ნეოკლასიკა), ისტ. და სამხატვრო მუზეუმების შენობა (1931—36, არქიტ. ვ. დუბენეიკისი; მ. ჩიურლიონისის სურათების გალერეა, 1969, არქიტ. ფ. ვიტასი). ი.იანონისის მოედანზე დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბრინჯაო, 1970, მოქანდაკე ნ. პეტრულისი), აშენდა საცხოვრ. მასივები, ვაგზლის შენობა (1949—53, არქიტ. პ. აშასტინი) და სხვ. ქალაქში დგას ფ. ძერჟინსკის (ბრინჯაო, ბეტონი, 1947, მოქანდაკე ს. მერკურიევი), ს. ნერისის (ბრინჯაო, გრანიტი, 1955, მოქანდაკე ბ. ბუჩასი) და სხვა ძეგლები.

ქ-ში არის 4 უმაღლესი სასწავლებელი (ინ-ტები: პოლიტექ., სამედ., ფიზკულტურის, ვეტ. აკადემია), 12 საშ. სპეც. სასწავლებელი. მუს., დრამ. და თოჯინების თეატრები, მუზეუმები.

კაუნასის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. ნიამუნასზე (ნემანი), ლიტვ. სსრ-ში. შეიქმნა 1959—60 კაუნასის ჰესის კაშხალით. ფართ. 64 *კმ*², მოც. 0,46 *კმ*³, სიგრძე 83 *კმ*, მაქს. სიგანე 5 *კმ*-მდე, საშ. სიღრმე 7 *მ*, მაქს. — 21 *მ*. ქ. წ. აწესრიგებს სეზონურ ჩამონადენს, გაუმჯობესდა ნაოსნობა, თევზჭერა. ქ. წ-ის ნაპირებზეა ქ-ები: კაუნასი, პრენაი, საკურორტო ქალაქი ბირშტონასი.

კაუნდა (Kaunda) კენეთ დეივიდ (დ. 28. IV. 1924, ლუბვა, ზამბიის ჩრდ. პროვინცია), ზამბიის რესპუბლიკის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. პროფესიით მასწავლებელი. 1949-იდან აფრიკის ეროვნ. კონგრესის (აეკ) — ჩრდ. როდეზიის პირველი აფრ. პოლიტ. პარტიის— ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1953—58 აეკ-ის გენ. მდივანი. 1958 პარტიის რადიკალურად განწყობილ ჯგუფთან ერთად გამოვიდა აეკ-იდან და დააარსა (1959 დასაწყისში) ზამბიის აფრ. ეროვნ. კონგრესი (ზაეკ), რ-იც 1959 აიკრძალა. ქ. დააპატიმრეს. განთავისუფლების (1960) შემდეგ. გახდა ეროვნ. დამოუკიდებლობის გაერთ. პარტიის პრეზიდენტი (1964-იდან — მმართველი პარტია). 1964 იანვ. ქ-მ შექმნა ჩრდ. როდეზიის პირველი მთავრობა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1964 წ. 24 ოქტ.) ზამბიის რესპ. პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

კაუპოლიკანი (Caupolicán) (დ. წ. უცნობია, — 1558, კანიეტე), *არაუკანების* სამხედრო ბელადი. 1552 გააერთიანა სამხრ. ჩილეს ინდიელთა დაქსაქსული ტომები ესპ. კოლონიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად. არაუკანები ქ-ის და ლაუტაროს მეთაურობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს. კანიეტესთან ბრძოლაში 1558 ქ. ტყვედ ჩაიგდეს და მხეცურად მოკლეს. ქ-ის გმირობა და მამაცობა აღწერა ჩილეს დაპყრობის მონაწილე ესპ. პოეტმა ალონსო დე ერსილია ი სუნიგამ (1533—94) თავის პოემა „არაუკანაში".

კაუსტობიოლითები (ბერძნ. kaustos— საწვავი, bios — სიცოცხლე და lithos — ქვა), ორგანული წარმოშობის საწვავი წიაღისეული; მცენარეულ, იშვიათად, ცხოველურ ორგანიზმთა ნაშთების გეოლ.-გეოქიმ. ფაქტორთა ზეგავლენით გარდაქმნის პროდუქტები. ტერმ. შემოიღო გერმ. პალეობოტანიკოსმა ჰ. პოტონიემ 1888.

ქ-ია: წიაღისეული *ნახშირი, საწვავი ფიქლები, ნავთობი* და ბუნებრივი *საწვავი აირები.* წარმოშობის მიხედვით განარჩევენ მყარი ქ-ის 3 ჯგუფს: საროპელიტებს, ჰუმიტებს, ლიპტობიოლითებს. არსებობს შერეული ტიპის ქ-ც— საპროპუმიტები, ლიპტოსაპროპელიტები და სხვ.

კაუფმანი ილარიონ იგნატის ძე (5. VII. 1848, ოდესა, — 1916), რუსი ეკონომისტი. 1869 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტი. პეტერბ. უნ-ტის პროფესორი (1893—1916). მუშაობდა ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების სფეროში. 1872 ქ-მა ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი" გამოაქვეყნა ერთ-ერთი პირველი რეცენზია კ. მარქსის „კაპიტალის" შესახებ, რ-იც ვ. ი. ლენინის აზრით, აღსანიშნავია იმით, რომ მასში სწორად არის გადმოცემული მარქსის მატერიალ.-დიალექტ. მეთოდის არსი. ქ-მა თავისი ბურჟ. მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო ვერ გაიგო პროლეტარიატის ისტ. რეგ. როლის იდეა.

კაუფმანი კონსტანტინე პეტრეს ძე [19. II (2. III). 1818 — 4 (16). V. 1882, ტაშკენტი], რუსი ინჟინერ-გენერალი (1874), გენ.-ადიუტანტი (1864). 1839 დაამთავრა მთავარი საინჟინრო სასწავლებელი. მსახურობდა კავკასიაში. ყირიმის ომის (1853—56) დროს ასრულებდა საველე შტაბის უფროსის მოვალეობას. ინგლ. გენ. ვილიამსთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებას რუს. ჯარისათვის ყარსის გადაცემის პირობებზე. 1867-იდან თურქესტანის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი და თურქესტანის გენ.-გუბერნატორი. ხელმძღვანელობდა ბრძოლებს ბუხარის საემიროს (1868) და ხივის სანაფის (1873) წინააღმდეგ, კოკანდოის აჯანყების (1874—76) ჩახშობას.

კაუფუთოვი ათა (15. VII. 1903, ახლანდ. ქ. ბეზმეინი, აშხაბადის რ-ნი, — 15. XI. 1953, აშხაბადი). თურქმენი საბჭ. მწერალი. თურქმ. პროზისა და დრამატურგიის ფუძემდებელი. დაიბადა ლატაკი გლეხის ოჯახში. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1925-იდან. მისი ნაწარმოებების თემაა ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, ქალის მდგომარეობა, დიდი სამამულო ომი. ავტორია დრამისა „ჯუმა" (1939), რომანებისა „მეჩრი და ვეფა" (1946), „ქოფეთდაღის ძირში" (1947—49). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კაუჩუკი, სამრეწველო *პოლიმერების* ჯგუფი, რ-თა გადამუშავებით მიიღება *რეზინი.* იხ. *კაუჩუკი ნატურალური, კაუჩუკი სინთეზური.*

კაუჩუკი ნატურალური, მცენარეული წარმოშობის პოლიმერი, რ-ის *ვულკანიზაციით* მიიღება *რეზინი.* მიეკუთვნება *ელასტომერების* ჯგუფს. ქ. ნ. არის კაუჩუკშემცველი მცენარეების რძისებრ წვენში (ლატექსში). მას უმთავრესად ღებულობენ ბრაზილიური *ჰევეის* ლატექსისაგან. ტერმ. „კაუჩუკი" წარმოდგება სახელწოდებისაგან „კაუჩუ", რ-ითაც ბრაზილიის ინდიელები აღნიშნავდნენ ჰევეასაგან („კაუ"— ხე, „უჩუ"—დენა, ტირილი) მიღებულ პროდუქტს. ქ. ნ-ის სამრეწვ. გამოყენება შესაძლებელი გახდა ვულკანიზაციის პროცესის აღმოჩენის შემდეგ (ჩ. გუდერი — აშშ, 1839; ტ. ჰენკოკი — ინგლისი, 1843).

საერთაშ. კლასიფიკაციის მიხედვით ქ. ნ. იყოფა 8 საერთაშ. ტიპად. ქ. ნ-ის ტიპს განსაზღვრავენ საწყისი ნედლეულითა და მიღების მეთოდებით, გარეგანი შემოწმებითა და ეტალონურ ნიმუშთან შედარებით.

ქ. ნ-ის ძირითადი შემადგენელი ნაწილია — კაუჩუკის ნახშირწყალბადი (91—96%), რ-იც განიხილება როგორც *პოლიიზოპრენი* $(C_5H_8)_n$; ქ. ნ. შეიცავს აგრეთვე 2,2—3,8% ცილებსა და ამინმჟავებს, 1,5—4% აცეტონში ხსნად ნივთიერებებს (ე. წ. აცეტონის ექსტრაქტი—



კაულერპა: 1 — Caulerpa Jonderii; 2—C. crassifolia; 3—C. macrodisca.

კაუნასი. ძველი ქალაქის ხედი.

კაუჩუკოვანი მცენარეები. ლატექსის შეგროვება პევეის ქერქის დასერვით.

ჯ. კაუცკი.

ფ. კაფკა.



კაფსულ-დეტონატორი: 1—პილული; 2—ხუფი; 3—სითბოსადმი ძლიერ მგრძნობიარე ფეთქებადი ნივთიერება; 4—მაღალბრისანტული ფეთქებადი ნივთიერება.

ოლეინის, სტეარინის, ლინოლის მჟავები, კაროტინი და სხვ.); ცვალებადი ვალენტობის ლითონთა (სპილენძი, მანგანუმი, რკინა) ნაერთებს, სილას და ზოგიერთ სხვა მინარევს.

ჰ. ნ. სტერეორეგულარული პოლიმერია. მისი მაკრომოლეკულები შეიცავს იზოპრენის რგოლებს (98—99%), რ-ებიც 1,4 *ცის* მდგომარეობაში არიან შეერთებულნი:



ჰ. ნ-ის მოლ. მასაა 1400000—2600000, სიმკვრივე 910—920 *კგ/მ*³; კარგად იხსნება ბენზოლში, ტოლუოლში, ქსილოლში, ბენზინში, ოთხქლორიან ნახშირბადში, ქლოროფორმში, გოგირდნახშირბადში, ციკლოჰექსანში; მედეგია წყლის მიმართ, 10°C-ზე უფრო მაღალი ტემპ-რისას ჰ. ნ. ამორფულია. უფრო დაბალ ტემპ-რაზე ხანგრძლივი შენახვისას ან ოთახის ტემპ-რაზე გაჭიმვისას ნაწილობრივ კრისტალდება. მისთვის დამახასიათებელია მაღალი კოჰეზიური სიმტკიცე.

ჰ. ნ-ის გადამუშავებისას მიმართავენ მის პლასტიკაციას, რის შედეგად მისი სიშ. მოლეკულური მასა მცირდება. ამ ოპერაციას ატარებენ რეზინშემრეველებში, კაუჩუკს შეურევენ მავულკანიზებელ და ვულკანიზაციის დამაჩქარებელ ნივთიერებებს, აქტ. შემვსებებს, პლასტიფიკატორებს, ანტიოქსიდანტებს, ანტიოზონანტებსა და ა. შ., რ-თა დამატებით მიიღება მაღალი თვისებების მქონე რეზინის ნაკეთობები.

ჰ. ნ-ის ვულკანიზაციისათვის ფართოდ იყენებენ გოგირდს; ვულკანიზაციას აჩქარებენ სხვადასხვა გოგირდშემცველი ორგ. ნაერთებით; შეიძლება მისი რადიაციული ვულკანიზაციაც. ჰ. ნ-ის კრისტალიზაცია განაპირობებს მის საფუძველზე დამზადებული რეზინის მაღალ სიმტკიცეს. აქტ. შემვსების დამატებით რეზინის სიმტკიცე უმნიშვნელოდ იცვლება, მაგრამ ზოგიერთი სხვა მექან. თვისება მნიშვნელოვნად დიდდება. ჰ. ნ-იდან მიღებული რეზინისათვის დამახასიათებელია კარგი ელასტიკურობა, ცვეთა- და ყინვამედეგობა და მაღალი დინამ. თვისებები, მაგრამ დაბალია მისი მედეგობა გამხსნელებისა და ზეთებისადმი, აგრეთვე დაბალია მათი თბო- და ატმოსფერომედეგობა ზოგიერთ სინთეზურ კაუჩუკთან შედარებით.

ჰ. ნ-ს იყენებენ საბურავების წარმოებაში, აგრეთვე რეზინტექ. ნაკეთობების, ელექტროსაიზოლაციო მასალის, რეზინის ნაკეთობების, რეზინის წებოს დასამზადებლად. იმის გამო, რომ მიღებულია სტერეორეგულარული სინთეზური კაუჩუკი და სპეც. დანიშნულების სხვადასხვა სინთეზური კაუჩუკი, ჰ. ნ-ის გამოყენება მრეწვ. ზოგიერთ დარგში თანდათანობით მცირდება (იხ. *კაუჩუკი სინთეზური*).

ლიტ.: Догадкин Б. А., Химия эластомеров, М., 1972.

კაუჩუკი სინთეზური, სინთეზური პოლიმერი, რ-იც ნატურალური კაუჩუკის მსგავსად შეიძლება გადავამუშაოთ *რეზინად*.

ჰ. ს. არის ორგვარი: საერთო და სპეც. დანიშნულებისა. პირველს იყენებენ ისეთი ნაკეთობების წარმოებაში, რ-ებშიც რეალიზებულია რეზინის ძირითადი თვისება — ჩვეულებრივ ტემპ-რაზე მაღალი ელასტიკურობა (მაგ., საბურავების, ტრანსპორტიორის ლენტის, ფეხსაცმლის და სხვ.); სპეც. დანიშნულების ჰ. ს-ს იმ ნაკეთობათა წარმოებაში იყენებენ, რ-თაც ახასიათებთ მედეგობა გამხსნელების, ზეთების, ჟანგბადის, ოზონის მოქმედებისადმი; უნდა ჰქონდეთ სითბო- და ყინვამედეგობის უნარი (ე. ი. მაღალელასტიკურ თვისებებს უნდა ინარჩუნებდნენ ტემპ-რათა ფართო ინტერვალში) და სხვ. გამოყენების დარგების მიხედვით ჰ. ს-ის კლასიფიკაცია ერთგვარად პირობითია, რადგან ზოგიერთ კაუჩუკს აქვს თვისებათა ისეთი კომპლექსი, რ-იც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ის როგორც საერთო, ისე სპეც. დანიშნულების კაუჩუკად. ჰ. ს-ის განსაკუთრებული ჯგუფებია: კ ა უ ჩ უ კ ი ს წ ყ ლ ი ა ნ ი დ ი ს პ ე რ ს ი ა (*ლატექსი*); თ ხ ე ვ ა დ ი კ ა უ ჩ უ კ ი (*ოლიგომერი*); შ ე ვ ს ებ უ ლ ი კ ა უ ჩ უ კ ი (შემვსებების ან პლასტიფიკატორების ნარევი ჰ. ს-თან).

ჰ. ს-ის მიღების ყველაზე გავრცელებული ხერხია ემულსიური და სტერეოსპეციფ. *პოლიმერიზაცია*. პოლიმერიზაციისას შესაძლებელია კაუჩუკის მოლეკულური მასის რეგულირება, რაც საშუალებას იძლევა მათი გადამუშავებისას გამოვრიცხოთ ენერგოტევადი პლასტიკაციის სტადია. ჰ. ს-ის მიღების ტექნოლ. პროცესებს მიეკუთვნება რამდენიმე სტადია: დისპერსიიდან ან ხსნარიდან კაუჩუკის გამოყოფა (მაგ., კოაგულაციით ან დალექვით), კატალიზატორების, ემულგატორებისა და სხვა მინარევის ნაშთისაგან კაუჩუკის გაწმენდა, კაუჩუკის შრობა, ბრიკეტირება და შეფუთვა. კაუჩუკის სინთეზის უმნიშვნელოვანესი მონომერებია: *ბუტადიენი, იზოპრენი, სტიროლი* და სხვ., რ-ებსაც უმთავრესად ნავთობის თანამგზავრი აირებისა და *კრეკინგის* აირებისაგან ღებულობენ. ამათ გარდა იყენებენ აგრეთვე აკრილონიტრილს, ზოგიერთ სილიციუმორგ. ნაერთს, ფთოროლეფინებს და სხვ.

ლიტ.: Литвин О. Б., Основы технологии синтеза каучуков, М., 1972.

კაუჩუკოვანი მცენარეები, მცენარეები, რ-ებიც თავის ამა თუ იმ ორგანოში წარმოქმნიან და შეიცავენ ნატურალურ კაუჩუკს. იმის მიხედვით, თუ რომელ ქსოვილში გროვდება კაუჩუკი, გამოყოფენ ლატექსურ (კაუჩუკი რძეწვენში — ლატექსშია), პარენქიმულ (ღერძული ორგანოების — ღეროსა და ფესვის პარენქიმაში) და ქლორენქიმულ (ახალგაზრდა ყლორტებისა და ფოთლების მწვანე ქსოვილებში) ჰ. მ-ს. მ. შ. საწარმოო მნიშვნელობა აქვს ლატექსიან ხეებს, რ-ებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ რძეწვენს, საიდანაც ადვილად შეიძლება კაუჩუკის გამოყოფა. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ბრაზ. *ჰეველა*, რ-იც ბუნებრივი კაუჩუკის მსოფლიო წარმოების 95%-ს იძლევა. დანარჩენი 5% მიიღება სხვა ტროპ. ლატექსიანი მცენარეებისაგან — საპიუმის, მანიოკის (რძიანასებრთა ოჯახი), ფიკუსის, კასტილას (თუთისებრთა ოჯახი), ლანდოლფიას (ქენდირისებრთა ოჯახი) გვარებიდან. ლატექსიანი ჰ. მ-ია აგრეთვე კოგსაგიზი, ტაუსაგიზი, კრიმსაგიზი და სხვ., მაგრამ მათ ფესვებში კაუჩუკი მცირე რაოდენობითაა. პარენქიმულ ჰ. მ-ს განეკუთვნება მექს. გვაიულა (რთულყვავილოვნებიდან). ქლორენქიმულ ჰ. მ-ს საწარმოო მნიშვნელობა არა აქვთ.

ლიტ.: Жуковский П. М., Культурные растения и их сородичи, 2 изд., Л., 1964; F r a n k e G., Nutzpflanzen der Tropen und Subtropen, Bd. 1, Lpz., 1967.

კაუცკი (Kautsky) კარლ (16. X. 1854, პრაღა, — 17. X. 1938, ამსტერდამი), გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი. *ცენტრიზმის* იდეოლოგი, პუბლიცისტი. თავდაპირველად მარქსიზმის პოზიციებზე იდგა (განსაკუთრებით 1881-იდან, ლონდონში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გაცნობის შემდეგ). 1880—82, ციურიხში ცხოვრებისას, დაუახლოვდა ა. ბებელს, ვ. ლიბკნეხტს, ე. ბერნშტაინს და გერმანიის ს.-დ. პარტიის წევრი გახდა. 1885—88 ლონდონში ცხოვრობდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ენგელსთან. 1890 დაბრუნდა გერმანიაში. გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი და სტატია: „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება", 1887; „ტომას მორი და მისი უტოპია", 1888; „ერფურტის პროგრამის კომენტარები", 1892; „უახლესი სოციალიზმის წინამორბედები", ტ. 1—2, 1895; „აგრარული საკითხი", 1899 და სხვ. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მარქსიზმის პროპაგანდაში, თუმცა უკვე მაშინ ჰ-ს შრომებში დაშვებული იყო ოპორტუნისტული შეცდომები. ენგელსმა მკაცრად გააკრიტიკა ჰ-ს მიერ შემუშავებული ერფურტის პროგრამა, რ-შიც იგნორირებული იყო მარქსის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ჰ-ს ნაშრომში „ბერნშტაინი და სოციალ-დემოკრატიული პროგრამა" (1899) მოცემულია რევიზიონიზმის საკმაოდ დამაჯერებელი კრიტიკა. მაგრამ გვერდი აქვს ავლილი ბერნშტაინის მიერ სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრებისა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხების რევიზიისა და გაყალბების მხილებას. რსდმპ II ყრილობის (1903) შემდეგ ჰ-მ მენშევიკების დაუჭირა მხარი.

XX ს. დასაწყისში გამოქვეყნებულ ნაშრომებში („სლავები და რევოლუცია", 1902; „რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და პერსპექტივები", 1906—07; „გზა ხელისუფლებისაკენ", 1909 და სხვ.), ზოგიერთი ოპორტუნისტული გადახვევის მიუხედავად, კელავ იგრძნობა რევ. მარქსიზმის გავლენა.

I მსოფლიო ომის წინ ჰ-ს ოპორტუნიზმი გაძლიერდა, იგი სულ უფრო და უფრო დაშორდა მუშათა რევ. მოძრაობას, ქადაგებდა რევიზიონიზმთან შერიგებას, მხარს უჭერდა ლიკვიდატორულ მიმდინარეობას რუს. სოციალ-დემოკრატიაში, უარყოფდა მარქსისტული ფილოს. პარტიულობას; მხარს უჭერდა რა ძალმომრეობის ანტიმარქსისტულ თეორიას, სოციალ-დარვინიზმს, ჰ. ცდილობდა მეცნ. სოციალიზმისა და არამარქსისტული ფილოს. სისტემების შერიგებას, უარყოფდა ორგ. კავშირს მარქსისტულ მსოფლმხედველობასა და პარტიული მშენებლობის პრინციპებს შორის. ჰ. სულ უფრო და უფრო დაშორდა შემოქმედებით მარქსიზმს და დოგმატიზმის ტყეეობაში მოექცა. ჰ-მ უარყო იმპერიალ. სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკის კავშირი მონოპოლიების ბატონობასთან. იგი იმპერიალიზმს განიხილავდა როგორც თანამედროვე კაპიტალიზმის პოლიტიკის სახესხვაობას. ამით ჰ. ჩქმალაცდა იმ მძაფრ წინააღმდეგობებს, რ-ებიც ახასიათებდა კაპიტალიზმის განვითარების მონოპ. სტადიას. ასევე აპოლოგეტური და რეფორმისტული იყო ჰ-ს მიერ წამოყენებული ულტრაიმპერიალიზმის ცრუ თეორია, რ-ის თანახმად, თითქოს დადგება კაპიტალიზმის მშვიდობიანი განვითარებისა და მისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის ახ. ფაზა. I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ჰ. ფაქტობრივად სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე დადგა და საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი რევ. მარქსიზმთან, დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციას ჰ. მტრულად შეხვდა; ჰ-ს ბევრი ნაშრომი აშკარად ცილისმწამებლურ ხასიათს ატარებს ოქტ. რევ. მიმართ. ჰ-ს მიერ რევ. მარქსიზმის ღალატი ვ. ი. ლენინმა ამხილა ცნობილ ნაშრომში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი".

1917 ჰ. სხვა ცენტრისტებთან ერთად მონაწილეობდა გერმ. დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის შექმნაში. 1918 ნოემბრის რევ. დროს ჰ. ფაქტობრივად მხარს უჭერდა შაიდემანელების კონტრრევ. პოლიტიკას, ხელს უშლიდა რევ. შემდგომ გაღრმავებას, გამოდიოდა საბჭ. რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარების წინააღმდეგ. ფაშისტური გერმ. მიერ ავსტრ. დაპყრობის შემდეგ (1938 წ. მარტი) ჰ. გადასახლდა პრაღაში, შემდეგ — ამსტერდამში.

ჰ-ს ოპორტუნისტულ და რევიზიონისტულ ანტიმარქსისტულ შეხედულებებს ფართოდ იყენებენ თანამედროვე მემარჯვე-

ნე სოციალ. ლიდერები თავიანთი რეფორმისტული პოლიტიკის დასასაბუთებლად.

თხზ.: Собр. соч., т. 1—4, 10, 12, М.—П., 1923—30; Крестьяне и революция в России. СПб., 1905; Социальный переворот, СПб., 1905.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 28. *გ. კილურაძე.*

კაუცკიანელობა, რევიზიონისტული და ოპორტუნისტული საერთაშორისო მიმდინარეობა სოციალ-დემოკრატიაში, რ-იც მხოლოდ სიტყვიერად ცნობს რევოლუციურ მარქსიზმს (სახელწ. მომდინარეობს II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ბელადის *კ. კაუცკის* სახელიდან). ჩამოყალიბდა I მსოფლიო ომის დროს. კ-მ უარყო ომის პერიოდში კლასობრივი ბრძოლისა და სოციალ. რევ. მომზადების აუცილებლობა.

კ-ის მომხრეები — ო. ბაუერი (ავსტრია), ა. თომა (საფრანგეთი), რ. მაკდონალდი (ინგლისი), ლ. მარტოვი, ლ. ტროცკი (რუსეთი) და სხვ., რ-ებიც პროპაგანდას უწევდნენ და ავითარებდნენ „ცენტრიზმის" — კ-ის — იდეებს, ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც „ინტერნაციონალიზმის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგეები".

ეკონ. თეორიის სფეროში კ. ცდილობდა კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვას, ერთმანეთისაგან აცალკევებდა პოლიტიკასა და ეკონომიკას, უგულებელყოფდა მონოპოლიების გავლენას ბურჟ. სახელმწიფოზე. კაუცკის მიერ წამოყენებული და კაუცკიანელების მიერ განვითარებული *„ულტრაიმპერიალიზმის"* ანტიმარქსისტული თეორია უარყოფდა კაპიტალიზმის დროს მოქმედი ეკონ. კანონების ობიექტურ ხასიათს.

კ-ის ევოლუციის შედეგად დას. ევრ. რიგი ქვეყნების მემარჯვენე სოც.-დემოკრატიის ლიდერები საბოლოოდ გაეთიშნენ მარქსიზმს და აშკარად დაადგნენ *ანტიკომუნიზმის* პოზიციებს. *რ. კაკულია.*

კაუძიტელები, რეინის (ფსევდ. რ. ვიძემნიეკი) [30. IV (12. V). 1839, ვეცპიეპალგის თემი, ახლანდ. ცესისის რ-ნი, — 21. VIII. 1920, იქვე] და მატის (ფსევდ. კალნინიეკი) [6 (18). VIII. 1848, ვეცპიეპალგის თემი, ახლანდ. ცესისის რ-ნი, — 8. XI. 1926, იქვე], ლატვიელი მწერლები, ძმები. მათი ძირითადი ნაშრომი „მიწის მზომელთა დროება" (1879) პირველი დიდტანიანი რეალისტური ნაწარმოებია, რ-მაც მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა ლიტვ. ლიტრაში რეალიზმის განვითარებას. რომანში ასახულია 70-იან წლებში კაპიტალიზმის შეჭრა სოფლად.

კაფია, ქართული ზეპირსიტყვიერების პოეტური ჟანრი, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ლექსი, რ-იც ექსპრომტად გამოითქმება. არსებობს ცალფა (მონოლოგური) და ორფა (დიალოგური) კ. ცალფა კ. მთელ საქართველოშია გავრცელებული, ორფა კი—უპირატესად ფშავ-ხევსურეთში (იხ. აგრეთვე *გალექსება* და *გაშაირება*).

ლიტ.: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ყრუ გიორგი, კაფიები, ლ. ბოძაშვილის გამოც., თბ., 1973; ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1956.

კაფკა (Kafka) ფრანც (3. VII. 1883, პრაღა, — 3. VI. 1924, კირლინგი, ვენის მახლობლად), ავსტრიელი მწერალი. სწავლობდა პრაღის გერმ. უნ-ტში ჯერ გერმანისტიკას, შემდეგ—სამართალს. მსახურობდა წერილ მოხელედ. კ-ს სიცოცხლეში გამოიცა მისი შემოქმედების მცირე ნაწილი—ივავური მოთხრობები და ესკიზები: კრებ. „განჭვრეტა", „ცეცხლფარეში", „განაჩენი", (სამივე 1913), „მეტამორფოზა" (1915), „დამსჯელ კოლონიაში"(1919), „შიმშილის ოსტატი" (1924) და სხვ. მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა ზემოაღნიშნული ჟანრისავე „წერილი აკადემიას", „ყოზეფინე მომღერალი ანუ თაგვების მოდგმა", „ძალლის გამოკვლევები" და სხვ., აგრეთვე 3 დაუმთავრებელი რომანი: „ამერიკა", „პროცესი", „კოშკი". გარდაიცვალა ფილტვებისა და ყელის ტუბერკულოზით. პირადმა უბედურებამ, მუდმივმა ხელმოცარულობამ, დესპოტი მამის, ფილისტერული ოჯახისა და წრის გარემოცვამ, დას. სამყაროს ტოტალურმა სულიერ-კულტ. კრიზისმა მძიმე დაღი დაასვა კ-ს შემოქმედებას. აღსანიშნავია სხვა ფაქტორიც: კ. ებრაელი იყო; აღიზარდა კი გერმ. გარემოში და განათლებაც გერმანული მიიღო; სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ჩეხიაში, პრაღაში გაატარა; მას ხან ცუდ ებრაელობას უკიჟინებდნენ, ხან ცუდ ავსტრიელ-გერმანელობას და ხან ცუდ ჩეხობას.

კ-ს ნაწარმოებებში გამოხატულია ადამიანის ეგზისტენციური შეჭირვება, პრინციპული და პერმანენტული ხელმოცარულობა, მარტოობა, სულიერი უთვისტომობა და სოც. ატომიზმი. უკიდურესი სიმკვეთრითაა წარმოჩენილი ბურჟ. ევროპის აგონია, ძვ. სულიერ ღირებულებათა გაუფასურება და უსაზღვრო ქაოსის, აბსურდისა და სასოწარკვეთილების წინაშე დგომა. კ-ს ასახვის დამახასიათებელი მანერაა პერსონაჟის (ფაქტიურად ანტიგმირის) მოულოდნელი გადაყვანა ჩვეული, ბანალური სიტუაციიდან აბსოლუტურად უცხო, უჩვეულო და გაუგებარ გარემოში. კ-ს ნაწარმოებები მკითხველისათვის აუხსნელ რებუსად დარჩება, თუ არ გაითვალისწინებს მათ სიმბოლურ-ალეგორიულ ხასიათს და მრავალმნიშვნელოვნებას. მის ყველა თხზულებაში ორი სინამდვილეა, ორი სიბრტყე — კონკრეტული, ყოველდღიური, ემპირიული და სიმბოლური, ფილოსოფიური, შინაგანი. დას. ლიტმცოდნეობაში ჯ. ჯოისსა და მ. პრუსტთან ერთად კ. მიჩნეულია ექსპერიმენტული, ავანგარდისტული, ახ. პროზისა და რომანის მამამთავრად, რ-იც ძირეულად არღვევს ძვ. ეპიკურ ფორმებს.

თხზ.: Gesammelte Werke, Bd. 1—8, Fr/M., 1951—58; მეტამორფოზა, განაჩენი, «მნათობი», 1964, № 9; მოხსენებითი ბარათი აკადემიას, «ხომლი», 1969, № 2; კაცი კაცს რომ მისდევდეს.. ; ყოველდღიური აღრეულობა; კანონის წინ; სიმართლე სანჩო პანსაზე; ახალი ვექილი; შიმშილის ოსტატი, «ცისკარი», 1969, № 7. Роман, Новеллы. Притчи. [Предисл. Б. Сучкова], М., 1965.

ლიტ.: კაკაბაძე ზ., ფრანც კაფკა, «მნათობი», 1964, № 9; კაკაბაძე ნ., ფრანც კაფკას ცხოვრება და შემოქმედება. მის წგნ.: პორტრეტები და სილუეტები, თბ., 1971. *ნ. კაკაბაძე.*

კაფსის კულტურა, ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ხანის (ძვ. წ. IX — V ათასწლ.) არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო ჩრდ. აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. სახელი ეწოდა ტუნისში, ქ. გაფსასთან (კაფსა) არსებული ნამოსახლარის მიხედვით. მოსახლ. მისდევდა ნადირობას და შემგროვებლობას. ნამოსახლარში აღმოჩენილია ნიჟარებისა და ცხოველთა ძვლების უზარმაზარი გროვები. კაჟის იარაღიდან დამახასიათებელია მიკროლითები, მ. შ. გეომ. ფორმის ჩასართები და ისრისპირები (მშვილდი და ისარი აქ უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ჩრდ. ევროპაში). ნაპოვნია სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭისაგან დამზადებული ჭურჭლის ნატეხები, რ-ებიც ხშირად შემკულია ორნამენტით. შესაძლებელია სწორედ კაფსის მცხოვრებლებმა შექმნეს ჩრდ. აფრ. და აღმ. ესპ. პეტროგლიფები.

კაფსუკასი (1955-მდე მარიამპოლე), ქალაქი ლიტვ. სსრ-ში, მდ. შიაშუპეს (ნიამუნასის შენაკადი) ნაპირზე. კაფსუკასის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. კაუნასიდან 60 *კმ.* კვების მრეწვ. სხვადასხვა მოწყობილობისა და ავტოსათადარიგო ნაწილების წარმოება, საკონსერვო, შაქრის ქ-ნები, ავეჯისა და საფეიქრო ფ-კები, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნა. მეურნეობა-ტექნიკუმი, პედ. და კულტ. სასწავლებლები. კაუნასის დრამ. თეატრის ფილიალი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კ. დაარსდა XVIII ს-ში. სახელი ეწოდა ლიტვ. რევოლუციონერის ვ. მიცკიავიჩიუს-კაფსუკასის პატივსაცემად.

კაფსულა (ლათ. capsula — პატარა კოლოფი), 1. წამლის დალევის გასაადვილებლად ჟელატინისაგან ან სახამებლისაგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის მკვრივი ან ელასტიკური მიკროკოლოფი; 2. შემაერთებელქსოვილოვანი გარსი ანუ პარკი ცხოველის და ადამიანის სხვადასხვა ორგანოს (თირკმლები, ღვიძლი, სახსრები და სხვ.) ან პათოლ. წარმონაქმნის (პარაზიტი, ნეკროზული კერა, უცხო სხეული) ირგვლივ.

კაფსულ-დეტონატორი (ფრანგ. capsule < ლათ. capsula—პატარა კოლოფი და ფრაგ. détoner—აფეთქება), ფეთქებადი ნივთიერების მუხტისათვის საწყისი იმპულსის გადამცემი ჰილზი (ლითონის ან ქაღალდისა), რ-შიც არის მაინიცირებელი (ტყვიის აზიდი, მგრგვინავი ვერცხლისწყალი, ტენერესი) და მაღალბრისანტული (ტეტრილი) ნივთიერებების კომბინირებული მუხტი (1,3—1,5 *მმ*³). ჰილზის გარე დიამეტრია 6,8—7,5 *მმ*, სიგრძე — 47 *მმ*; კ.-დ. ფეთქდება ცეცხლგამტარი ზონრით ან ელექტროამნთებით (იხ. *ელექტროდეტონატორი*).

კაქტუსისებრნი, კაქტუსები (Cactaceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. ხისებრი, ბუჩქისებრი და ლიანისებრი ფორმებია, იშვიათად — დაბალი ხეები. აქვთ ეკლით, ბუსუსით ან ქერქლით დაფარული წვნიანი ხორცოვანი ღერო, რ-იც სფეროსებრი, კვერცხისებრი, ცილინდრული და სვეტისებრია, ზოგჯერ კი გაბრტყელებულია და დაყოფილია ნაწილებად. ფოთლები რედუცირებული აქვთ; ფოტოსინთეზი და ტრანსპირაცია ხდება ღეროთი, რ-შიც მძლავრადაა განვითარებული წყლის შემცველი პარენქიმა (დიდ კაქტუსებში 2000-მდე ლ წყალი გროვდება). ბევრ კ-ს ცვილისებრი ნაფიფქი აქვს ან ქეჩისებურად არის შებუსვილი. თითქმის ყველა კ-ს აქვს წიბოებიანი დვრილები. განსაკუთრებით დამახასიათებელია ე. წ. არეოლები (მკვეთრად შემოსაზღვრული ბუსუსიანი და ეკლიანი უბნები, რ-ებიც ალბათ უბის კვირტებისგანაა წარმოშობილი). ყვავილები მეტწილად დიდი და კაშკაშაა, მარტოული, იშვიათად კენწრულ ყვავილედებად შეკრებილი; მრავალთესლიანი ნაყოფი კენკრისებრია, ზოგჯერ მშრალი. ყვავილები, ჩვეულებრივ, იშლება საღამოს ან გვიან ღამით. ცნობილია კ-თა 85 გვარი (სხვა მონაცემებით 50 — 220) და 2000-ზე მეტი სახეობა. გავრცელებულია თითქმის მხოლოდ ამერიკაში (აქედან ნახევარი — მექსიკაში), მხოლოდ ერთადერთი გვარი — Rhipsalis — გვხვდება ტროპ. აფრიკაში (გზადმოყოლილია). კ. იზრდება ტროპ. და სუბტროპ. უდაბნოებში (ზოგან მთებშიც 4500 *მ*-მდე), იშვიათად ტროპ. წვიმის ტყეებში, ზღვის სანაპიროებსა და სავანებშიც. ზოგი კ. (უმეტესად ოპუნციას სახეობები) გავრცელდა ავსტრალიაში, სადაც იგი სათიბსაძოვრის ძლიერ სარეველად იქცა, ჩინეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში და სხვ., სსრკ ტერიტორიაზე — ყირიმის სამხრ. სანაპიროზე. საქართველოში ძირითადად მხოლოდ ბოტან. ბაღებშია. თბილ. ბოტან. ბაღის ტერიტორიაზე გვხვდება თვითნათესი ოპუნციები.

ბევრი კაქტუსის ნაყოფი და ღეროს რბილობი იჭმება, ზოგს იყენებენ საქონლის საკვებად (უეკლო ოპუნციები), სათბობად და მსუბუქ საშენ მასალად (გამერქნებული ღეროები), ცოცხალ ღობედ (ეკლიანი ოპუნციები და ზოგი ცერეუსი). ბევრ სახეობას (მამილარია, ოპუნცია, ცერეუსი, ცეფალოცერეუსი და სხვ.) აშენებენ ოთახებსა და სათბურებში.

ლიტ.: Дьяконов В. М., Курнаков Н. И., Кактусы и их культура в комнатных условиях, Л., 1953; Пажо-

კაქტუსისებრნი

Pelecyphora pectinata var. cristata.

Cleistocactus strausii.

Echinocactus grusonii.

Haworthia margaritifera.

Ferocactus visnaga.

Echeveria agavoides.

კაშალოტი: 1—მამალი; 2—დედალი.

მ. კაშინი.



კაშინი. ქალაქის ხედი.

კაშხალი

მსოფლიოს მაღლივი	ზოგიერთი კაშხალი
კაშხლის სახელწოდება, ქვეყანა, მდინარე	კაშხლის ტიპი, სიმაღლე *მ*-ობით
როგუნის სსრკ ტაჯიკეთის სსრ ვახში	მიწაყრილი; 325—345
ნურაქის სსრკ ტაჯიკეთის სსრ ვახში	მიწაყრილი; 300
გრანდ—დიქსანსი შვეიცარია დიქსანსი	ბეტონის, გრავიტაციული; 284
ენგურის სსრკ საქ. სსრ ენგური	ბეტონის, თაღოვანი; 270
ვაიონტი იტალია ვაიონტი	ბეტონის, თაღოვანი; 261,6

ут Ф., Валничек З., Шубик Р., Кактусы, пер. с чешск., Прага, 1963.

კაძჩიკელები, კაქჩიკელი, ინდიელი ხალხი გვატემალაში. ცხოვრობენ ძირითადად ჩიმალტენანგოსა და გვატემალის დეპარტამენტში. რაოდ. 300 ათ. კაცზე მეტი (1970, შეფასება). ლაპარაკობენ მაია-კიჩეს ჯგუფის ენაზე. რელიგიით უმრავლესობა კათოლიკეა, შენარჩუნებული აქვთ წინაქრისტიანულ რწმენათა გადმონაშთები. ვიდრე ესპანელები დაიპყრობდნენ (XVI ს. დასაწყისი), ჰქონდათ ადრინდ. სახელმწ. წარმონაქმნი. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება; განვითარებულია ტრად. ხელოსნობა-მეთუნეობა და ფეიქრობა.

კაშალოტი (Physeter catodon), ძუძუმწოვარი ცხოველი *კბილიანი ვეშაპების* ქვერიგისა. მამლის სხეულის სიგრძე 20 *მ* აღწევს. მასა — 70 *ტ*; დედლისა, შესაბამისად, 15 *მ*, 30 *ტ*. კ-ის თავი წინიდან ბლაგვია, სხეულის საერთო სიგრძის თითქმის 1/3. შუბლის განყ-ბაში შეზრდილი საჰაერო პარკი აქვს; ზედა ყბების ფუძესთან არის სპერმაცეტის 6-ტონიანი ცხიმოვანი ბალიში. ზედა ყბა უკბილოა, ქვედაზე კი 18—30 წყვილი კბილია. მკერდის ფარფლები გრძელია, წვეროში მომრგვალებული. მამალი კ-ები გვხვდება თითქმის ყველა ოკეანეში, დედლები მხოლოდ ტროპ. წყლებში ბინადრობენ. კ. იკვებება თევზით, მოლუსკებით. ყვინთავს 1200 *მ*-მდე. ცოცხლობს 50 წლამდე. სარეწაო ობიექტია: იძლევა 9—10 *ტ*-მდე ცხიმს, 5 *ტ*-მდე სპერმაცეტს, *ამბარს*. კ-ების საერთო რაოდენობა თანდათანობით კლებულობს (მსოფლიო ოკეანეში 300 ათ. ცალს არ აღემატება). *ა. ჯანაშვილი.*

კაშგარი, კაში, ქალაქი დას. ჩინეთში, სინძიანის უიღურთა ავტ. რ-ნში, მდ. კაშგარის ნაპირზე, დიდი ოაზისის ცენტრში, ტიან-შანის სამხრ. მთისძირას. 200 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი ძველ ტრაქტზე. მნიშვნელოვანი ეკონ. ცენტრი. სას.-სამ. მანქანათმშ., საფეიქრო, საფქვავი, კერამ. საწარმოები. შინასარეწები. ჰესი.

კაშგარის ვაკე, ტარიმის ვაკე, ვაკე დას. ჩინეთში, ტიან-შანის, პამირის, კუნლუნისა და ბეიშანის მთებს შორის. სიგრძე დას-იდან აღმ-კენ დაახლ. 1200 *კმ*, სიგანე 500 *კმ*-მდე, სიმაღლე 1500 *მ*-იდან (დას.) 780 *მ*-მდე (აღმ.). კ. ვ-ის დიდი ნაწილი უკავია ტაკლა-მაკანის ქვიშიან უდაბნოს. რელიეფის დადაბლებულ ადგილებში მლაშობებია. დას-ით დანალექი ქანებით აგებული დაბალი იზოლირებული სერებია. ჰავა ზომიერია, მკვეთრად კონტინენტური; ზაფხული ცხელი იცის (ივლ. საშ. ტემპ-რა 25—26°C), ზამთარი ხანმოკლეა და უთოვლო (ყინვები —20°C-მდე). ნალექები 100 *მმ*-ზე ნაკლები წელიწადში. მთის მდ-ები ბარში გამოსვლისას შრება ან მთლიანად გამოყენებულია სარწყავად. მთავარი მდ-ებია: ტარიმი, ხოთანი, კაშგარი, აქსუ, კონჩედარია. კ. ვ-ის დიდი ნაწილი შემოსილია უდაბნოს მცენარეულობით. ოაზისებში და მთისძირა ვაკეებზე მისდევენ მიწათმოქმედებას, მებაღეობას.

კაშენი (Cachin) მარსელ (20. IX. 1869, პემპოლი, — 12. II. 1958, პარიზი), საფრანგეთის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1905—20 საფრ. სოციალ. პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, II ინტერნაციონალის ამსტერდამის (1904), შტუტგარტის (1907) და ბაზელის (1912) კონგრესების მონაწილე. საფრ. მუშათა მოძრაობაში მარქსისტული მიმართულების მომხრე, 1912-იდან გაზ. „იუმანიტეს" („L'Humanité") რედაქტორი, ხოლო 1918 ოქტ-იდან — დირექტორი. 1914-იდან (1933—35 გამოკლებით) პარლამენტის დეპუტატი. დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გავლენით კომუნისტურ პოზიციებზე გადავიდა. მონაწილეობდა II ინტერნაციონალის მე-3 კონგრესში (1920) მოსკოვში, სადაც არაერთხელ შეხვდა ვ. ი. ლენინს. სიცოცხლის ბოლო წლებამდე სსრკ-ის მეგობარი იყო. დიდი როლი ითამაშა საფრ. კომპარტიის (სკპ) შექმნაში. ჯერ იყო სკპ-ის ხელმძღვ. კომიტეტის წევრი, შემდეგ არჩეულ იქნა ცკ-ისა და პოლიტბიუროს შემადგენლობაში. არაერთხელ იყო დაპატიმრებული. 1924—43 კომინტერნის აღმასკომის, ხოლო შემდეგ მისი პრეზიდიუმის წევრი. კომინტერნის IV, VI, VII კონგრესების მონაწილე. გამოდიოდა ფაშისტი მეამბოხეებისა და ინტერვენტებისაგან (1936—39) რესპ. ესპანეთის დაცვის მომხრედ, მხარს უჭერდა სსრკ-საფრ. მეგობრობის განმტკიცებას. II მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა *წინააღმდეგობის მოძრაობაში*. გმობდა საფრანგეთის *ნატოში* და სხვ. აგრესიულ ბლოკებში შესვლის პოლიტიკას. კ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთში, სსრკ-სა და სხვ. ქვეყნებში. 1957 დაჯილდოეს ლენინის ორდენით.

თხზ.: Мои встречи с Лениным, «Новая и новейшая история», 1957, № 4; Наука и религия, М., 1958.

ლიტ.: Thorez M., Marcel Cachin: La leçon d'une vie, P., 1958.

კაშიას-დუ-სული (Caxias do Sul), ქალაქი სამხრ. ბრაზილიაში, რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატში. 144,3 ათ. მცხ. (1970). რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. მეღვინეობის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. მეტალ., საფეიქრო და კვების (ხორცსაკონსერვო) მრეწვ. საწარმოები.

კაშიბაძე ვახტანგ ვასილის ძე [დ. 14(27). VII. 1914, ქუთაისი], ქართველი საბჭ. მეცნიერი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1969). სკკპ წევრი 1947-იდან. დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1937). 1959-იდან ხელმძღვანელობს საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის შრომის დაცვისა და მაღაროს აეროლოგიის კათედრას. გამოიკვლია გვირაბების სამაგრი მასალისა და მექანიზმების შუბლური წინაღობის კოეფიციენტი. დაადგინა სხვადასხვა ტიპის სამაგრით გამაგრებული და მექანიზებული გვირაბების აეროდინ. წინაღობის კოეფიციენტები და მათი საანგარიშო ფორმულები.

თხზ.: Исследование аэродинамического сопротивления квершлаго-штрекообразных выработок при новых видах крепления, М., 1951; Исследование аэродинамического сопротивления механизированных горных выработок, Тб., 1965.

კაშინი, ქალაქი რსფსრ კალინინის ოლქში, მდ. კაშინკის (ვოლგის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური, მოსკოვიდან 204 *კმ*. სელის დასამუშ. და რძის ქ-ნები, თექის ჩექმის და სამკერვალო ფ-კები, ხორცკომბინატი, ელექტროაპარატურის ქ-ნა. ზოოვეტ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მატიანეში პირველად მოხსენიებულია 1238. არქიტ. ძეგლებია: დიმიტრის (სამების ეკლესია, 1682) და მირქმის მონასტრები, იოაკიმესა და ანას ხის ეკლესია (XVII—XIX სს.), პეტრე-პავლეს და სხვ. ეკლესიები (XVIII ს. დასასრ.), აღდგომის ტაძარი (მშენებლობა დამთავრდა 1817). XVIII ს. დასასრულიდან იწყება კ-ის რეგულარული გეგმით განაშენიანება. აიგო სავაჭრო რიგი (XIX ს. დასაწყ.), საცხოვრ. სახლები (XIX ს.) და სხვ. კ. ბალნეოლ. და ტალახით სამკურნ. კურორტია. არის სანატორიუმი, წყალ-ტალახსამკურნალო, პოლიკლინიკა.

კაშირა, ქალაქი რსფსრ მოსკოვის ოლქში, მდ. ოკის მარჯვ. ნაპირზე. ნავმისადგომი. რკინიგზის სადგური, მოსკოვიდან 109 *კმ*. ქ-ნები: ლითონის კონსტრუქციების, გემთსაშენი, „ცენტროლიტი"; ავეჯისა და წინდის ფ-კები, მუყაო-ქაღალდის ნაწარმთა ექსპერ. კომბინატი და სხვ. საღამოს ენერგეტ. ტექნიკუმი. კ. დაარსდა XIV ს-ში.

კაშკადარია (სათავეში შინგასი, ქვემოთში მაიმანა ქდარია), მდინარე უზბ. სსრ-ში. სიგრძე 378 *კმ*, აუზის ფართ. 8780 *კმ*², სათავე აქვს ზარაფშანისა და ჰისარის ქედების დას. შტოქედებ-



ზე. კ-ის მთავარი შენაკადებია: აქსუ, თანხაზდარია, იაქაბაგდარია (ყიზილდარია) და ღუზარდარია. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 266 *კმ*-ზე 24,9 *მ*³/*წმ*. იყენებენ სარწყავად. კ-ზეა წყალსაცავი.

კაშკადარიის ოლქი, შედის უზბ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1964 წ. 7 თებ. ფართ. 28,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 1120 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 25%. ცენტრი — ქ. ყარში. კ. ო. მდებარეობს მდ. კაშკადარიის აუზში და პამირალაის მთათა სისტემის დას. კიდეზე. ზედაპირის უმეტესი ნაწილი მთისწინა ვაკეა. მთავარი მდინარეა კაშკადარია. განვითარებულია საშენ მასალათა, მსუბუქი, კვების და აირის მრეწველობა. მეურნეობაში წამყვანია მებამბეობა და ყარაკულის დამზადება. კ. ო. სარწყავი მიწათმოქმედების (უმთავრესად ბამბა), ურწყავი მარცვლეულის მეურნ. (ხორბალი, ქერი) და სასაძოვრე მეცხოველეობის (უმთავრესად მეყარაკულეობა) რ-ნია. ვითარდება მებაღეობა და მევენახეობა. მისდევენ მეაბრეშუმეობას. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1967).

კაშტანი (Kashtan) უილიამ (დ. 1909, მონრეალი), კანადისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1927-იდან მონაწილეობს კანადის კომუნისტურ მოძრაობაში. 1938—46 სხვადასხვა თანამდებობა ეკავა კანადის კომუნისტური პარტიის (კკპ) კვებეკისა და ონტარიოს პროვინციების ორგანიზაციებში. 1946—64 კკპ-ის ეროვნ. კომიტეტის მდივანი პროფკავშირული და ორგანიზაციული მუშაობის დარგში. 1965 იანვრიდან კკპ-ის გენ. მდივანი. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

კაშუბები (საკ. სახელწ. კ ა შ ე ბ ი), ძვ. პომორიელების შთამომავლები. ცხოვრობენ ბალტიის ზღვის სანაპიროზე, პოლ. ჩრდ.-ალმ. რ-ნებში. ლაპარაკობენ პოლ. ენის კაშუბურ დიალექტზე. XIV ს. დასაწყისში კ-ის მიწები დაიპყრო ტევტონთა ორდენმა. 1466 ტორუნის ზავით ალმ. პომორიე პოლონეთს შეუერთდა. პოლ. ორგზის დაყოფის შემდეგ (1772, 1793) კ-ის მიწები პრუსიამ დაიპყრო; პოლონეთს დაუბრუნდა მხოლოდ 1919 ვერსალის ხელშეკრულებით. მიუხედავად ხანგრძლივი იძულებითი გერმანიზაციისა, კ-მა მაინც შეინარჩუნეს თავისი კულტურა.

კაშხალი, ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რ-იც გადატიხრავს მდინარეს (ან სხვა წყალსადინარს) დინების ზემო ნაწილში წყლის დონის ასაწევად და ნაგებობის მდებარეობის ადგილზე წყლის დაწნევის კონცენტრაციისათვის და წყალსაცავის შესაქმნელად. კ. *ჰიდროკვანძის* მთავარი ნაგებობაა.

ძველად კ-ს უმთავრესად ირიგაციისათვის აშენებდნენ. კ-ის მშენებლობის შესახებ ცნობები დაცულია ეგვიპტეში (ძვ. წ. 4000), ინდოეთში (ძვ. წ. 1000), ჩინეთში და სხვ. ძველად მას უმეტესად მიწისგან ან ხისგან აგებდნენ და მცირე სიმაღლე ჰქონდა. კ-ების მშენებლობა ფართოდ გაიშალა ახ. წ. XVII—XVIII სს-ში, განსაკუთრებით კი — XIX ს. II ნახევრიდან, როცა დაიწყეს ჰიდროელექტროსადგურების აგება. სსრკ-ში აშენდა მრავალი კ., მ. შ. გამოირჩევა მხოლოდ ყველაზე მაღალი როგუნის მიწის კ. (ტაჯ. სსრ, მდ. ვახში; სიმაღლე 325 — 345 *მ*), ენგურის თაღოვანი კ. (საქ. სსრ, მდ. ენგური; სიმაღლე 270 *მ*) და სხვ. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ წ ყ ა ლ ს ა ც ა ვ ი ს ა და წ ყ ა ლ ს ა წ ე ვ კ-ებს (მხოლოდ ზედა ბიეფის დონის ასაწევად). არის აგრეთვე ყ რ უ და წ ყ ა ლ გ ა დ ა ს ა შ ვ ე ბ ი კ-ები (პირველი მხოლოდ ზღუდეა წყლის დინებისათვის, მეორეს კი წყალგადასაშვები ხვრელების მეშვეობით ჭარბი წყლის გადაგდება შეუძლია). ძირითადი საშენი მასალის მიხედვით კ. შეიძლება იყოს მიწის, ქვის, შერეული, ბეტონის, რკინაბეტონის ან ხისა.

მ ი წ ი ს კ. (ნახ. 1, ა) უძველესია და ყველაზე მეტად გავრცელებული. მას ტრაპეციული პროფილი აქვს. ფერდობის ქანობი დამოკიდებულია მათ მასალასა და სიმაღლეზე და სპეც. გაანგარიშებით განისაზღვრება. თხემის სიგანე (3-იდან 15—20 *მ*-მდე) შეესაბამება კ-ის სიმაღლესა და სხვა ფაქტორებს. მიწის კ-ს აგებენ მცირედ



ნახ. 1. ადგილობრივი მასალისაგან აგებული კაშხალები: ა—ბირთვიანი მიწის კაშხალი; ბ—ეკრანიანი მიწის კაშხალი; გ—ხისტეკრანიანი ქვაყრილი კაშხალი; დ—შერეული ტიპის კაშხალი; 1—თხემი; 2—ზედა ფერდო; 3—ქვედა (შშრალი) ფერდო; 4—დრენაჟი; 5—თიხის (თიხნარის) გული; 6—თიხის (თიხნარის) ეკრანი; 7—ძირული; 8—ბეტონის ხისტი ეკრანი.



ნახ. 2. ბეტონის გრავიტაციული (მასიური) კაშხალები: ა—ბეტონის წყალგადასაშვები კაშხალი კლდეგრუნტზე; ბ—ბეტონის წყალგადასაშვები კაშხალი არაკლდოვან გრუნტზე: 1—წყალგადასაშვები; 2—საინსპექციო გალერეა; 3—სადრენაჟო მილები; 4—ფილტრაციის საწინააღმდეგო ფარდა; 5—ძირული; 6—ჰიდროტექნიკური საკეტები (ფარები); 7—პორტალური ამწე ფარებისათვის.

წყალშელწევადი მასალისაგან (თიხნარი, ქვიშნარი). წყლის დონეთა სხვაობა იწვევს წყლის გაჟონვას (ფილტრაციას) ზედა ბიეფიდან ქვედაში (კ-ის ტანშიც და მის გარემომცველ გრუნტშიც). კ-ის მშრალ ფერდოზე გაფილტრული წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად აწყობენ *დრენაჟს*. ფილტრაციის ან კ-ის ზომების შესამცირებლად იყენებენ ე. წ. ფილტრაციის საწინააღმდეგო ბირთვს ან ეკრანს (ნახ. 1, ბ) ანდა ბეტონის თუ რკინაბეტონის ხისტ დიაფრაგმას. მიწის კ. ჩვეულებრივ ყრუა. მას აგებენ მშრალად, ყოველი ფენის შემდგომი დატკეპნით (მაგ., საქ. სსრ-ში აგებულია სიონის მიწაყრილი კ. მტ. იორზე; სიმაღლე — 70 *მ*) ან დალექვის წესით.

ქ ვ ი ს კ-ს (ნახ. 1, გ) აგებენ ქვის, ღორღის ან კენჭის დაყრით (ე. წ. ქვაყრილი კ.) ან ქვის მშრალი წყობით, ანდა მშრალი წყობისა და ქვაყრილის შერწყმით (ე. წ. ნახევრად ქვაყრილი კ.). მასაც ტრაპეციული პროფილი აქვს, ფერდოებს კი — უფრო დიდი ქანობი, ვიდრე მიწის კ-ისას. ზემო (წყლის) ფერდოზე აწყობენ ფილტრაციის საწინააღმდეგო ეკრანს. საქ. სსრ-ში აგებულია ხრამის ქვაყრილი კ. მდ. ხრამზე (სიმაღლე — 30 *მ*); მას უჟანგავი ფოლადის ეკრანი აქვს.

შ ე რ ე უ ლ ი ტ ი პ ი ს კ-ს (ნახ. 1, დ) აგებენ ქვაყრილისა და მიწისაგან ან ქვაყრილისა და ბეტონისაგან. ამ სახის კ-საც ტრაპეციული პროფილი აქვს. ფილტრაციის საწინააღმდეგოდ უკეთებენ ხისტ ან პლასტ. ეკრანს, ან პლასტ. (თიხის) ბირთვს. როგორც ქვის, ისე შერეული ტიპის კ. ყრუა.

ბ ე ტ ო ნ ი ს ა დ ა რ კ ი ნ ა ბ ე ტ ო ნ ი ს კ., თავის მხრივ, 3 სახისაა: გრავიტაციული, თაღოვანი და კონტრფორსებიანი. გ რ ა ვ ი ტ ა ც ი უ ლ ი კ-ის (ნახ. 2) მდგრადობას მისი წონა უზრუნველყოფს. მაღალ გრავიტაციულ კ-ს კლდეგრუნტზე აშენებენ. მისი პროფილი მართკუთხა სამკუთხედის მსგავსია (საშუალოდ ფუძე სიმაღლის 0,7—0,9 შეადგენს). როცა გრუნტი სუსტია, გრავიტაციული კ-ის პროფილი უფრო გაშლილია, სიმაღლე კი შედარებით მცირეა. ამ სახის კ. არის ყრუ და წყალგადასაშვები. ხშირად მის თხემზე ეწყობა წყალსაშვები, ზემო წახნაგთან კი — დრენაჟი გაფილტრული წყლის ასარინებლად, ასეთ კ-ს ფუძეში უკეთებენ ე. წ. ბეტონის კბილს. ბზარების თავიდან ასაცილებლად კ-ის ტანს ყოფენ განივ კონსტრ. ნაკერებად. გრავიტაციული კ. გეგმაში წრფივია ან მრუდწირული. ამ სახის უმაღლესი კ. აგებულია შვეიცარიაში (გრანდდიქსანსი); მისი სიმაღლეა 286 *მ*. თ ა ღ ო ვ ა ნ ი კ. (ნახ. 3) ვერტ. ღერძის მქონე ბეტონის თაღია, რ-იც ხეობის ნაპირებსა და ფუძეს ეყრდნობა. მას მხოლოდ მტკიცე გრუნტზე (კლდე-გრუნტზე) აგებენ. ასეთი კ. გეგმაში ჩვეულებრივ წრიული, ხოლო მისი რადიუსი მუდმივი ან სიმაღლეზე ცვლადია. იგი შეიძლება იყოს როგორც ყრუ, ისე წყალგადასაშვები. თაღოვანი კ-ის მოცულობა გრავიტაციულთან



შედარებით 2—3-ჯერ ნაკლებია, მაგრამ მას უფრო მაღალი სიმტკიცის ბეტონი სჭირდება. ამ სახის კ-ის ტანშიც აწყობენ დრენაჟს, ხოლო ფუძეში — ბეტონის კბილს. კ ო ნ ტ რ ფ ო რ ს ე ბ ი ა ნ ი კ. (ნახ.





ნახ. 3. თაღოვანი კაშხალი: ა—გეგმა, ბ—ჭრილი კაშხალის ცენტრალურ კვეთზე.





ნახ. 4. კონტრფორსებიანი კაშხალების სქემები: ა—ბრტყელგადაბურვიანი კაშხალი; ბ—მრავალთაღოვანი კაშხალი; 1—ბეტონის ფილები; 2—საყრდენები (კონტრფორსები); 3—თაღები; 4—სიხისტის კოჭები; 5—სიხისტის ფილები; 6—ბილი.

ვ. კაჩალოვი.

ვ. კაჩალოვი ჩაცკის როლში (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან").

ვ. კაჩალოვი ვერშინინის როლში (ვ. ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი 14—69").

4, ა. ბ) შედგება კონტრფორსებზე მიბჯენილი ფილისა ან თაღების რიგისაგან. კონტრფორსები კვთდება მასიური (ბეტონისა) და თხელი (რკინაბეტონისა). ამ სახის კ. არის ყრუცა და წყალგადასაშვებიც.

ხ ი ს კ-ის მდგრადობას უზრუნველყოფს გრუნტში ჩასობილი *ხიმინჯები* ან ძელყორეები. ხის კ. ჩვეულებრივ წყალგადასაშვებია. მისი სიმაღლე აღწევს 15—18 *მ*-მდე. იყენებენ ხე-ტყის დასაცურებელ სისტემებში, სოფ. მეურნეობაში (წისქვილი, ირიგაცია) და სხვ. მისი აგება ეკონომიურად გამართლებულია ხე-ტყით მდიდარ რ-ნებში. ამყამად ხის კ-ს თითქმის აღარ აგებენ.

ხშირად მდინარეში შენდება მცირე სიმაღლის წყალსაშვებიანი დასაშლელი კ-ები. ისინი შედგება დაბალი ზღურბლისაგან და მასზე განლაგებული საყრდენებისა და ბურჯებისაგან. მ. შ. მოთავსებულია ფარები ან სხვა ტიპის ჰიდროტექ. საკეტები, რ-ებიც წყალს აკავებენ, ასეთი კ. მცირედ ცვლის მდინარის ბუნებრივ დონეს მაქს. ხარჯის გატარებისას.

ლიტ.: მ ო ს ტ კ ო ვ ი მ., ჰიდროტექნიკური ნაგებობანი რკინიგზის ტრანსპორტზე, თბ., 1960; მ ო წ ო ნ ე ლ ი ძ ე ნ., ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ნაწ. 1, თბ., 1977; Г р и ш и н М. М., Гидротехнические сооружения, М., 1962. *ბ. მამრაძე.*

კაჩაეთი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ნიკორწმინდის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1180 *მ*, ამბროლაურიდან 18 *კმ*, ტყიბულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. ნიკორწმინდის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ნიკორწმინდაში (3 *კმ*). კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. სოფელში დგას შუა საუკ. გუმბათოვანი ტაძარი.

კაჩალოვი (ნამდვ. გვარი შ ვ ე რ უ ბ ო ვ ი ნ ი) ვასილი ივანეს ძე [30. I (11. II). 1875, ვილნიუსი, — 30. IX. 1948, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1936). პეტერბ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე სწავლის დროს მონაწილეობდა დრამ. წრეში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1896, პეტერბურგში. 1897—1900 გამოდიოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქის თეატრის სცენაზე. 1900-იდან გარდაცვალებამდე იყო მოსკ. სამხატვრო თეატრის მსახიობი. სტანისლავსკისთან და ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან შემოქმედებითმა თანამშრომლობამ დიდად გაამდიდრა კ-ის აქტიორული შესაძლებლობანი. კ-ის შემოქმედებას ახასიათებდა მაღალი პროფ. კულტურა, ფსიქოლ. და ფილოს. სიღრმე, არტისტულობა, უდიდესი სცენური მომხიბვლელობა; ჰქონდა საოცრად ლამაზი ხმა. მ. გორკისა და ა. ჩეხოვის პიესებში ბრწყინვალედ შესრულებული როლებით (ტუზენბახი, პეტია ტროფიმოვი, ჩეხოვის „სამი და", 1902, და „ალუბლის ბაღი", 1904; ბარონი, გორკის „ფსკერზე", 1902) მან რევოლუციამდელი რუს. დემოკრ. ინტელიგენციის სიყვარული დაიმსახურა. ეს როლები გარდასახვის ოსტატობის შესანიშნავი მაგალითიც იყო. „ინტელიგენციისა და რევოლუციის" პრობლემა მსახიობმა ასახა პროტასოვის როლში (გორკის „მზის შვილები", 1905). კ-ის საუკეთესო როლებია: ბერენდეი (ოსტროვსკის „თოვლის ქალი", 1900), ბრანდი (იბსენის „ბრანდი", 1906), ჩაცკი (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", 1906, განახლებული დადგმა 1914 და 1938), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი", 1911), ივანე კარამაზოვი („ძმები კარამაზოვები", დოსტოევსკის მიხედვით, 1910) და სხვ. კ-ის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატირულ როლებსაც: ნიკოლოზ I (კუგელის „ნიკოლოზ I და დეკაბრისტები", 1926), ზახარ ბარდინი (გორკის „მტრეები", 1935). საბჭ. თეატრის მნიშვნელოვანი მონაპოვარია კ-ის მიერ განსახიერებული როლები: პარტიზანთა მეთაური ნიკიტა ვერშინინი (ვ. ივანოვის „ჯავშნოსანი მატარებელი 14-69", 1927) და მთხრობელი („ავტორის სახელით", ტოლსტოის „აღდგომის" ინსცენირება, 1930).

კ. იყო მხატვრული კითხვის ბრწყინვალე ოსტატი. მონაწილეობდა ლიტ.-მუს. და დრამ. კომპოზიციებში (რ-ის ავტორიც თვითონ იყო), რ-ებშიც ზოგჯერ ერთდროულად ასრულებდა რამდენიმე პერსონაჟის როლს.

კ. არაერთხელ სწვევია თბილისს. 1919 სამხატვრო თეატრის მსახიობთა ჯგუფთან ერთად მართავდა კონცერტებს, 1925 მონაწილეობდა საქართველოში სამხატვრო თეატრის გასტროლებში. 1942 ერთ-ერთ კონცერტზე წარმოადგინა ნაწყვეტი „რიჩარდ III-იდან" (რიჩარდს ასრულებდა კ., ლედი ანას — ვ. ანჯაფარიძე). კ-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა კ. მარჯანიშვილთან, ა. ხორავასა, ვ. ანჯაფარიძესა და ა. ვასაძესთან. მარჯანიშვილთან ერთად მოამზადა ნაწილობრივ ჰამლეტის, მნიშვნელოვან წილად ივანე კარამაზოვის და სრულად ბასტის (ჰამსუნის „ცხოვრების ბრჭყალებში") როლები. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943).

ლიტ.: В и л е н к и н В. Я., Качалов, М., 1962; В о л к о в Н. Д., Театральные вечера, М., 1966; Э ф р о с Н. Е., В. И. Качалов, П., 1920.

კაჩარები, ინდოეთში, ასამის შტატის ჩრდ-ში მცხოვრები ხალხი. რაოდ. 200 ათ. კაცი (1967, შეფასება). კ-ის ენა ეკუთვნის ტიბეტურ-ბირმული ენების ბოდოს ქვეჯგუფს. რელიგია — ინდუიზმი, ინარჩუნებენ ძვ. ანიმისტურ რწმენებს. იყოფიან მთის და ველის კ-ად. ველის კ. ასაბელებსა და ბენგალელებს შორის ცხოვრობენ და თანდათან ერწყმიან მათ. ძირითადი საქმიანობაა საახოე მიწათმოქმედება, ნაწილი ჩაის პლანტაციებში მუშაობს.

კა-ჩატაცება, *K*-ჩ ა ტ ა ც ე ბ ა, ატომთა ბირთვების რადიოაქტიური დაშლის ერთ-ერთი სახე, რ-ის დროსაც ბირთვი *K*-გარსიდან ელექტრონს ჩაიჭერს და ამავე დროს ნეიტრინოს გამოასხივებს. კ.-ჩ-ის დროს ბირთვის ერთ-ერთი p პროტონი შთანთქავს e^- ელექტრონს და გარდაიქმნება n ნეიტრონად. ამ დროს წარმოიქმნება ν ნეიტრინო, რ-იც გამოსხივდება ატომიდან: $p+e^- \rightarrow n+\nu$. კ.-ჩ., ისევე როგორც სხვა ელექტრონული ჩატაცება (ელექტრონის ჩატაცება *L*, *M* და ა. შ. გარსებიდან), მიეკუთვნება *ბეტა-დაშლას*.

კაჩინები (საკ. სახელწ. ძ ი ნ ბ ო ან ჯ ი ნ გ ფ ო), ჩრდ. ბირმის (კაჩინისა და შანსის ეროვნ. სახელმწიფოების ფარგლებში) მთის ტყიან რ-ნებში მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 400 ათ. კაცი (1967, შეფასება). დაახლ. 100 ათ. ცხოვრობს აგრეთვე სამხრ.-დას. ჩინეთში, მცირე ჯგუფები ჩრდ.-აღმ. ინდოეთში, ტაილანდსა და ლაოსში. იყოფიან ეთნოგრ. ჯგუფებად. ლაპარაკობენ კაჩინურ ენაზე, ინარჩუნებენ ტრად. რწმენებს (წინაპართა კულტი და ბუნების სულთა შაყვანისცემა), მცირე ნაწილი ქრისტიანობას ან ბუდიზმს აღიარებს. კ-ის წინაპრები ცხოვრობდნენ აღმ. ტიბეტის რ-ნებში. ბირმის ტერიტორიაზე VIII ს-ში გამოჩნდნენ, მაგრამ მასობრივი მიგრაცია ბირმაში XIII—XVII სს-ში დაიწყეს. XX ს. შუა წლებამდე შემონახული ჰქონდათ ადრინდ. ფეოდ. ურთიერთობა პირველყოფილი თემური წყობილების გადმონაშთებით. ძირითადი საქმიანობაა საახოე მიწათმოქმედება (უმთავრესად ბრინჯი).

კაჩინი (Caccini) ჯულიო (დაახლ. 1550, რომი, — 10. XII. 1618, ფლორენცია), იტალიელი კომპოზიტორი, მომღერალი, ვოკალური ხელოვნების თეორეტიკოსი. ერთ-ერთი პირველი ოპერის „ევრიდიკეს" (1602) ავტორი. ფლორენციული კამერატის (მუსიკოსთა, პოეტთა და ფილოსოფოსთა წრე) წევრი. კ. იტალ. ბელკანტოს ერთ-ერთი შემქმნელია. მისი ნაწარმოებები მღერადია და ვირტუოზული პასაჟებით მდიდარი. კ-ს ეკუთვნის მადრიგალებისა და არიების კრებული („ახალი მუსიკა", გამოიცა 1602), რ-იც შეიცავს მნიშვნელოვან მითითებებს ვოკალური შესრულების ხერხებზე.

ლიტ.: Р о л л а н Р., Опера XVII века в Италии, Германии, Англии, пер. с франц., М., 1931.

კაცია I დადიანი (გ. 1710), ოდიშის მთავარი 1704—10. 1704 მამამ, გიორგი IV-მ, დადიანის ტიტული მიანიჭა, თუმცა სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი თვითონ იყო. რამდენიმე წლის შემდეგ კ. I დ-მა მამა ოდიშიდან გააძევა და სამთავროს მართვას შეუდგა, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ს ო ს ე ლ ი ა ნ ი., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). [ტ.] 1, თბ., 1973.

კაცია II დადიანი, ოდიშის მთავარი 1758—88, ოტია დადიანის ძე. 1757 ოდიშის დამხმარე ლაშქარს ხელმძღვანელობდა *ბრესილის ბრძოლაში*. 1770—71 დას. საქართველოში მყოფ რუს. კორპუსს ეხმარებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (რუს. წყაროების ცნობით, საკმაოდ ორჭოფული პოზიცია ეკავა). 1780 კ. II დ-მა სოლომონ I-ის დახმარებით რუსის ბრძოლაში დაამარცხა აფხ. მთავარი. შემდეგში იგი აქტიურად ერეოდა აფხ. სამთავრო სახლის შინაურ საქმეებში; ეხმარებოდა ზურაბ შარვაშიძეს თავისი ძმისწულის — ქელაშიბაჰმედ-ბეგის · წინააღმდეგ ბრძოლაში. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ დაეხმარა დავით გიორგის ძეს იმერეთის სამეფო ტახტის დაუფლებაში.

წყარო: ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии, под ред. А. А. Цагарели, т. 1, СПб., 1891. *თ. ბერაძე.*

კაცინა (Katsina), ქალაქი ჩრდ. ნიგერიაში, კადუნის შტატში. 109 ათ. მცხ. (1971). საავტ. გზების კვანძი. დიდი საავაჭრო და სახელოსნო ცენტრი. ვაჭრობენ არაქისით, ბამბით, ტყავით. XIX ს-მდე კ. იყო ჰაუსაკაცინის ხალხის ქალაქ-სახელმწიფოს დედაქალაქი.

კაციტაძე ვასილ თადეოზის ძე [დ. 1 (13). I. 1905, სოფ. მუხლი, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი], ქართველი საბჭ. ჰიგიენისტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1951), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1932 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1939-იდან ჯერ სტომატოლოგიური, შემდეგ კი სამედ. ინ-ტის ჰიგიენის კათედრის გამგე. 1948—72 იყო სამედ. ინ-ტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკ-ტის დეკანი. კ. შეისწავლის კვების, შრომისა და კომუნალური ჰიგიენის საკითხებს. შეადგინა ქართ. ენაზე ჰიგიენის პირველი სახელმძღვანელოები: ზოგადი ჰიგიენა (1942), სამხ. ჰიგიენა (1950), კვების ჰიგიენა (1957) და რადიაციული ჰიგიენა (1968). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

თხზ.: პროფესიული დერმატოზების პროფილაქტიკა აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკებში, თბ., 1965; ჰიგიენის მეთოდური პრაქტიკუმი, თბ., 1961.

კაციტაძე კონსტანტინე თადეოზის ძე [დ. 7 (19). X. 1899, სოფ. მუხლი, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი], ქართველი საბჭ. ეპიდემიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). სკკპ წევრი 1942-იდან. 1929 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1934—37 იყო თბილ. სანიტარიისა და ჰიგიენის ინ-ტის ეპიდემიოლოგიური განყ-ბის გამგე. 1939 — 76 განაგებდა. თბილ. სამედ. ინ-ტის ეპიდე-

მიოლოგიის კათედრას, 1976-იდან ამავე კათედრის პროფესორია. 1954—56 და 1964—73 იყო საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ეპიდემიოლოგი. კ. შეისწავლის დიფთერიის, ტიფების, დიზენტერიის, წითელას, ვირუსული ჰეპატიტის და სხვ. ინფექციური დაავადებების ეპიდემიოლოგიისა და პროფილაქტ. საკითხებს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

თხზ. დიფთერია, თბ., 1960; პარაზიტული ტიფების ეპიდემიოლოგია, თბ., 1947.

კაციჭამიობა, კანიბალიზმი, ადამიანის მიერ ადამიანის ხორცის ჭამა. წარსულში გავრცელებული იყო ზოგიერთ ტომსა და ხალხში. არსებობდა კ-ის 2 ძირითადი ფორმა: ყოფითი და რელიგ.-მაგიური. არქეოლ. აღმოჩენები ადასტურებს, რომ ყოფითი კ. არსებობდა *ქვის ხანის* ადრინდ. ეტაპზე. უფრო გვიან, პირველყოფილ-თემური წყობილების დროს, საწარმოო ძალების განვითარებისა და საკვების მომატებასთან ერთად კ. შემორჩა მხოლოდ როგორც იშვიათი, შიმშილით გამოწვეული მოვლენა. რელიგ.-მაგიური კ. ითვალისწინებდა დახოცილი მტრების, ტყვეებისა და სხვ. სხეულის გარკვეული ნაწილების ჭამას, რამდენადაც სწამდათ, რომ მოკლული მტრის ძალა და თვისებები მისი ხორცის მჭამელზე გადადიოდა. რელიგ.-მაგიური კ-ის გადმონაშთები შემორჩენილია ზოგიერთ თანამედროვე მსოფლიო რელიგიაში. მაგ., ქრისტიანობაში—ზიარება (პურისა და ღვინის, როგორც ქრისტეს ხორცისა და სისხლის სიმბოლოს მიღება).

კაციჯაბლა, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში (ფოქვეშის სოფსაბჭო), მდ. ღალიძგის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 90 *მ*, ოჩამჩირიდან 18 *კმ*, ბესლახუბიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. ფოქვეშის კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა). საშ. სკოლა სოფ. ფოქვეშში (2 *კმ*).

კაცხი, სოფელი მესტიის რ-ნში (ფარის სოფსაბჭო), მდ. ენგურის ხეობაში, ბახის ულელტეხილის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1280 *მ*, მესტიიდან 33 *კმ*. ლახამულის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ფარში (1 *კმ*).

კაცხი, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, მდ. კაცხურის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას, ჭიათურა—ზესტაფონის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., დიდი კაცხი, ეწერი, მორძგვეთი, ნავარძეთი, სალიეთი, ჯოყოეთი). ზ. დ. 610 *მ*, ჭიათურიდან 11 *კმ*, სალიეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მევენახეობა). საშ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანის წყაროებში გვხვდება „კაცხის ციხე". ციხე თავდაპირველად სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. XVII ს. 60-იანი წლებიდან აბაშიძეთა ფეოდ. საგვარეულოს ეკუთვნოდა, XVIII ს. 50-იანი წლებიდან კვლავ სამეფო ხელისუფლების გამგებლობაშია. ციხის ნანგრევები შემორჩენილია მდ. კაცხურის მარჯვ. ნაპირზე.

სოფლის ცენტრში აღმართულია X—XI სს. მიჯნის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — კაცხის ტაძარი. სამხრ.-დას. შესასვლელის ტიმპანის წარწერის მიხედვით, აგებულია 1010—14. ტაძარს გარს უვლის ხუთკუთხა გალავანი (აღადგინეს 1937), რ-ის აღმ. კუთხეში ძვ. სამრეკლო დგას. ტაძარი დიდი, შიგნიდან ექვსაფსიდიანი, მრავალწახნაგა გუმბათოვანი ნაგებობაა. სამი მხრიდან აკრავს გარშემოსავლელი, რ-იც დაახლ. 30 წლით გვიან მიუშენებიათ. მთელი ნაგებობა შედგება საფეხურებად განლაგებული სამი კონცენტრული, წახნაგოვანი მოცულობისაგან — გარშემოსავლელის, საკუთრივ ტაძრის კორპუსისა და გუმბათის ყელისაგან. ყოველი წახნაგი დასრულებულია ფრონტონით, რის გამოც იქმნება ტეხილი, ხერხისებრი ლავგარდნები. შენობა მდიდრულადაა მოჩუქურთმებული (მორთულობის დიდი ნაწილი XIX ს-ში რესტავრაციის შედეგად მოისპო). გარშემოსავლელის აღმ. სადგომში შემორჩენილია ქართ. პლასტ. ხელოვნ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში — რელიეფური ქანდაკება — ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სიმბოლური სცენა, რ-იც მოჩუქურთმებულ მრგვალ ჩარჩოშია ჩასმული. სოფლის მახლობლად მდებარეობს *კაცხის სვეტი*. *თ. ბერაძე. შ. სალარაძე.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 193.

კაცხის სვეტი, კირქვის სვეტისებრი დენუდაციური „მოწმე" — შთენილი კლდე ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, მდ-ების კაცხურისა (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) და ღვითორის (ბუჯის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 40 *მ*. ადრინდ. შუა საუკუნეებში აქ მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელი იყო. სვეტის ზედა ბაქანზე დგას ორი მცირე ზომის ეკლესია. ასეთ ადგილებში სამლოცველოების აგებას მკვლევრები უკავშირებენ მესვეტეობას, რ-იც VI ს-ში გავრცელებული იყო წინა აზიასა და, უპირველეს ყოვლისა, სირიაში, რ-თანაც ქრისტ. საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი ეკლესია (V ს.) მშრალადაა ნაშენი ადგილობრივად მოპოვებული უხეშად დამუშავებული ქვით, აფსიდი კლდეშია გამოკვეთილი. მეორე (VI ს.) ნაგებია ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი კვადრებით, აქვს კრიპტა (ქვედა სართული — სამარხი). კ. ს-ის არქიტ. ძეგლები პირველად ალექსანდრე *ჯაფარიძის* ხელმძღვანელობით მთამსვლელთა ჯგუფმა ინახულა (1944).

ლიტ.: ცინცაძე ი., კაცხის „სვეტი", «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1946, ტ. 7, № 8

ლ. მარუაშვილი. შ. სალარაძე.

კაცხურა, მდინარე რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. სათავე აქვს ზ. დ. 1160 *მ*. მარჯვნიდან ერთვის მდ. ყვირილას. სიგრძე 13 *კმ*, აუზის ფართ. 31 *კმ*². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა — ზამთარში. ზაფხულ-შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნა. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 0,9 *მ*³/*წმ*. *ი. აფხაზავა.*

კაწალხევი, სოფელი დუშეთის რ-ნში (მაღაროსკარის სოფსაბჭო), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ფშავის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, დუშეთიდან 47 *კმ*. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. მაღაროსკარში (12 *კმ*).

კაწარეთი, ფეოდალური ხანის საეპისკოპოსო ცენტრი კახეთში, ამჟამად ნასოფლარი საგარეჯოს რ-ნში, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. ვარაუდობენ, რომ უძველეს ხანაში აქ კუხეებისა და სუჯების ტომთა წარმართული რელიგ. ცენტრი იყო. გადმოცემით, ქართველთა განმანათლებელმა ნინომ აქ მიაღებინა ქრისტიანობა კუხ და სუჯ მთავრებს და მათ ქვეშევრდომებს. ქართ. საეკლესიო იერარქიაში კაწარელი ეპისკოპოსი რიგით მეოცედ იხსენიებოდა.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგნ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

დ. მუსხელიშვილი.

კაჭარავა ივანე ბესარიონის ძე [24. VIII (5. IX). 1894, სოფ. საჭილაო, ახლანდ. მარანი, აბაშის რ-ნი, — 4. V. 1977, თბილისი], ქართველი საბჭ. გეოლოგი. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1944), პროფესორი (1944), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). 1914—17 სწავლობდა კიევის უნ-ტში; 1924 დაამთავრა თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკტი. 1925-იდან მუშაობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში, 1969-იდან ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის პალეოგენური ნალექების პალეონტოლოგიისა და სტრატიგრაფიის განყ-ბას. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. კ-ს შრომები ძირითადად შეეხება საქართვ. პალეოგენური ნალექების სტრატიგრაფიას და მათში განამარხებულ ფაუნას. საქ. სსრ სახელმწ. პრემია (1973). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე მედლებით.



კაცხი. მაცხოვრის ხატი კაცხის ტაძრიდან. XI ს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

თხზ.: რაჭა-ლეჩხუმის აუზი და მოსაზღვრე რაიონები პალეოგენის დროს, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლოგიური სერია», 1944, ტ. 2 (7)$_1$; Сопоставление палеогеновых отложений Грузии, Азербайджана и Армении, იქვე, 1957, ტ. 10 (15).

ლიტ.: ჭელიძე გ., აკად. ი. კაჭარავას დაბადების 80 წლისთავის გამო, «მეცნიერება და ტექნიკა», 1974, № 11. *გ. ჭელიძე.*

კაჭარავა იური მიხეილის ძე (დ. 22. III. 1913, სოფ. ბანძა, გეგეჭკორის რ-ნი), ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1965), სკკპ წევრი 1941-იდან. დაამთავრა თსუ-ის საზ.-ეკონ. ფაკ-ტი ფილოს. სპეციალობით (1937). 1938-იდან თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, სკკპ ისტორიას, სსრკ ისტორიასა და ქართ. ისტორიოგრაფიის კურსს. 1946—54 იყო მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტში. 1954—58 სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1958-იდან საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის საბჭ. საქართვ. ისტორიის განყ-ბის ხელმძღვანელი.

კ. მუშაობს XIX—XX სს. საქართვ. ისტორიის, საზ.-პოლიტ. მოძრაობისა და საზ. აზრის ისტორიის, რუსეთ-საქართვ. ურთიერთობის, საქართვ. კომპარტიისა და რევ. მოძრაობის ისტორიის, ეროვნ. საკითხის თეორიისა და ისტორიის, საბჭ. პერიოდის საქართვ. ისტორიისა და ქართ. ისტორიოგრაფიის საკითხებზე.

კაცხის სვეტი.

თხზ.: ვ. ი. ლენინი და ისტორიული მეცნიერება, თბ., 1965, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, თბ., 1977; პირველი სახალხო რევოლუცია საქართველოში, თბ., 1975; საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925 წწ.), თბ., 1958; ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1966; ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962.

კაჭარავა პეტრე მიხეილის ძე (6. V. 1908, ქუთაისი, — 2. VI. 1969, თბილისი), ქართველი საბჭ. აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1964). 1930 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1948—59 ხელმძღვანელობდა სკრის მეხილეობის საცდელ სადგურს, 1959—69 იყო საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეხილეობის აგროტექ. განყ-ბის გამგე. 1934-იდან ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში. შეისწავლა ხეხილოვან მცენარეთა გენერაციული განვითარების საკითხები, აღმ. საქართველოში ხეხილის ბაღების ნიადაგის დამუშავების სხვადასხვა სისტემა. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

ი. ბ. კაჭარავა.

კაწარეთი. სამების ეკლესია. V—VI სს.

კაჭიჭი.

კაჭკაჭი.

ი. კახაძე.

კაჭახიძე გიორგი ვარლამის ძე (3. II. 1907, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, —2. XII. 1979, თბილისი), ქართველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1940-იდან. 1930 დაამთავრა თსუ. პირველი ლექსი 1927 გამოაქვეყნა, ლექსთა პირველი წიგნი „ჩემი პირველი უჯრედი"— 1932. 30-იანი წლების ლექსებში (კრებ. „ის უბანი და ის კარ-მიდამო", 1934) წარმოსახულია სოფლიდან ქალაქად ჩასული ადამიანის განცდა და განწყობილებანი ახ. საზ. მოვლენათა ფონზე. ახ. სოფლის ცხოვრება, საბჭ. ადამიანის შრომითი საქმიანობა, მეგობრობისა და სიყვარულის ძალაა გაშუქებული პოეტის ლირ. ლექსთა კრებულებში, რ-თაგან აღსანიშნავია: „ახალი ლექსები" (1950), „რჩეული" (1958), „მადლი მიწისა" (1962), „მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ" (1964), „ერთტომეული" (1970), „იმ ვარსკვლავების შუქი" (1976). კ-ს გამოქვეყნებული აქვს საბავშვო ლექსთა წიგნები: „ალუბლები ჰყვავიან" (1940), „სწავლასა და სიხარულში" (1955), „მალხაზებისთვის რაც მიმღერია" (1959), „გაზაფხული მოგვილოცეს" (1963), „გამარჯობა, ნატვრის ჩიტო" (1973), „ის ურჩევნია მამულსა" (1977) და სხვ. გამოსცა მონოგრაფია „შიო მღვიმელის ცხოვრება და პოეზია" (1966). კ-ის ლექსები თარგმნილია სსრკ ხალხთა, აგრეთვე გერმ. ენებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კაჭიჭი, აფხაზური შავყურძნიანი სალვინე ვაზის ჯიში. ვაზის კულტ. ჯიშების კოლხეთის კერის ტიპობრივი წარმომადგენელია. აქვს შებუსული ფოთოლი, საშ. სიდიდის მტევანი (100—160 გ), შავი და მრგვალი მარცვალი. გვხვდება აფხ. და სამეგრელოს რ-ნებში (1,72 ჰა, 1976), სადაც კიდევ შენდება სადედე ვენახები. ამზადებენ მაღალხარისხოვან მუქი ფერის საშუალოსხეულიან სუფრის ღვინოს.

ნ. ცერცვაძე.

კაჭკაჭი (Pica pica), ფრინველი *ბეღურასნაირთა* რიგისა, *ყორნისებრთა* ოჯახისა. სხეულის სიგრძე 45—48 *სმ* აღწევს, მასა 250 გ. ფერად შავ-თეთრია; აქვს გრძელი, საფეხურისებრი ბოლო. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, ჩრდ. ამერიკაში, სსრკ-ში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება კ-ის ქვესახეობა აღმოსავლეთევროპული კ. (Pica pica fennorum). აღმ. საქართველოში იგი მობინადრეა, დას. საქართველოს ზოგ ადგილას — მოზამთრე. ბინადრობს ბუჩქნარებსა და ტყისპირებში, ჭალებში; ბუდეს იკეთებს ხეზე. იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. ანადგურებს მავნე მწერებს, რითაც ერთგვარი სარგებლობა მოაქვს.

კაჭრეთი, სოფელი გურჯაანის რ-ნში, გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., მახარაძე). რკინიგზის სადგური თბილისი—წნორის სარკინიგზო ხაზზე. ზ. დ. 700 *მ*, გურჯაანიდან 35 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა). ღვინის ქ-ნა, პურკომბინატი, სამკერვალო ფ-კა. საშ. და საღამოს (ცვლიანი) საშ. სკოლა, საშ. სკოლა-ინტერნატი, საბავშვო ბაღა და ბაღი, კულტსახლი, ბ-კა, კინოთეატრი, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კახაბერ I გურიელი, გურიის საერისთავოს გამგებელი XIV ს. II ნახევარში. გიორგი დადიანის ვაჟი. იწოდებოდა ერისთავთერისთავად, სვანთა ერისთავად.

კახაბერ II გურიელი (გ. 1483), გურიის მთავარი XV ს. II ნახევარში, ლიპარიტ I დადიანის ვაჟი. დაეხმარა ქართლის მეფის გიორგი VIII-ის წინააღმდეგ აჯანყებულ სამცხის ათაბაგს — ყვარყვარე II ჯაყელს, რ-ისგანაც სამაგიეროდ აჭარა და ჭანეთი მიიღო. ხელი შეუწყო იმერეთში გიორგი VIII-ის მოწინააღმდეგე ერისთავის — ბაგრატის — გამეფებას. შემდეგში კ. II ბ. დადიანთან ერთად დაუპირისპირდა სამეფო ხელისუფლებას და გურიის სამთავროს დამოუკიდებლობისათვის დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ბაგრატმა დაამარცხა. არ გამოცხადდა ალექსანდრე I-ის იმერთა მეფედ კურთხევაზე, 1479—80 კი ქართლის მეფე კონსტანტინესთან ერთად ებრძოდა მას. ამ დროიდან გურია ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამთავრო გახდა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

კახაბერი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში, კახაბრის ვაკეზე, მდ. ჭოროხის მარჯვ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ადლია, ანგისა, თოდოგაური, მეჯინისწყალი, მინდა). ზ. დ. 5 *მ*, ხელვაჩაურიდან 8 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. მეფრინველეობის ფ-კა, ბათუმის მერძევეობის საბჭ. მეურნ. და მეჯინისწყლის კოლ-ბა (მეცხტრუსეობა, მეჩაიეობა, მეცხოველეობა), ხელვაჩაურის რ-ნის სატყეო მეურნეობის ხის დასამუშ. საწარმო, სას.-სამ. სახელოსნო. რვაწლ. და სპორტ. სკოლა, ფსიქიატრიული საავადმყოფო, საბავშვო ბაგა-ბაღი, ბ-კა, კლუბი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კახაბერისძე კახაბერ, XII ს. 80-იანი წლების ქართველი პოლიტ. მოღვაწე, რაჭისა და თაკვერის ერისთავი. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, თამარის მეორე კორონაციის დროს, ქუთათელ მთავარეპისკოპოს ანტონ საღირისძესთან ერთად სამეფო გვირგვინი დაადგა თამარს. შემდეგ კ-ები ოპოზიციაში ჩაუდგნენ თამარს. მართალია, წყაროებში უშუალოდ კახაბერს არ ასახელებენ განდგომილთა შორის, მაგრამ საფიქრებელია, რომ საგვარეულოს მეთაური და რაჭის ერისთავი კ. თამარის „ქუეგამხედვართა" შორის იქნებოდა.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგნ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე. *ი. ანთელავა.*

კახაბერისძე კახაბერ, XIII ს. II ნახევრის ქართველი პოლიტ. მოღვაწე, რაჭის ერისთავი. დას. საქართვ. სხვა დიდებულებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი *დავით VI* ნარინის გამეფებას დას. საქართველოში. შემდგომში მოინდომა იმერეთში დავით ლაშას ძის გამეფება, მაგრამ უშედეგოდ. კავშირი დაამყარა მონღოლებთან, დავით ნარინს აუმხედრა აბაღა-ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული და დას. საქართველოში თავშეფარებული ღალღური. კ. ყაენის კარზეც წაჰყვა ღალღურს და იქ დავით ნარინის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. იქიდან კ. ქართლში, ატენში, დაბრუნდა. დავით ნარინმა შეიწყალა ორგული ერისთავი და რაჭაც დაუბრუნა. მცირე ხნის შემდეგ კ-მ კვლავ უღალატა მეფეს. მონღოლ სარდალ ალიყანთან გააბა მიმოწერა დავით ნარინის შეპყრობის თაობაზე. მეფემ ხელთ იგდო კ., თვალები ამოშანთა და ცალი ხელი და ფეხი მოჰკვეთა. ერისთაევის ორი შვილი განდევნეს კონსტანტინოპოლში. ამით დასრულდა კ-ების მფლობელობა რაჭაში.

წყარო: ეამთაღმწერელი, წგნ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ, 1959.

ლიტ.: ჯაფარიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966.

ი. ანთელავა.

კახაბერისძენი, დიდებულთა საგვარეულო დასავლეთ საქართველოში. *ბაღვაშთა* საგვარეულო განშტოება. კ. XI ს-იდან რაჭის ერისთავები იყვნენ. სხვავის ეკლესიის ჯვრის XI ს. წარწერაში მოხსენიებულია რაჭის ერისთავი რატი და მისი ძე კახაბერი. მკვლევართა აზრით, იგივე კახაბერი, უკვე ბერად შემდგარი, კირილეს სახელით, იხსენიება თავის ძესთან, ერისთავთერისთავ რატისთან ერთად ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის XI ს. წარწერაში. კ-თ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო მიწა-წყალი. თამარის მეფობის დასაწყისისათვის ისინი ფლობდნენ არა მხოლოდ რაჭას, არამედ თაკვერსაც (ლეჩხუმს) და რაჭისა და თაკვერის ერისთავებად იწოდებოდნენ. კ. ძნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ XII—XIII სს. საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში (იხ. *კახაბერისძე* კახაბერ). XIII ს. 80-ი.ნ წლებში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ კ-თა ბრძოლის გამო დავით VI ნარინმა გააუქმა *რაჭის საერისთავო* დ. სახასო მამულად აქცია. კ-თა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა. XIV ს მიწურულს, კვლავ აღდგენილ რაჭის საერისთავოს სხვა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959, ეამთაღმწერელი, იქვე.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, თბ., 1963; სესელია ო., რაჭის ერისთავთა სათავადო, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგნ. 1, თბ., 1970.

ი. ანთელავა.

კახაბრის ვაკე, დაბლობი ვაკე აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში, ქ. ბათუმსა და მდ. ჭოროხს შორის, ზ. დ. 0-იდან 22 *მ*-მდე. კ. 3. ჭოროხის ძვ. დელტის ნაწილია. აგებულია მეოთხეული კენჭნარითა და ქვიშებით. სიგრძე 6 *კმ*, სიგანე 5 *კმ*. ვაკის უმეტეს ნაწილზე კულტ. ლანდშაფტია.

ლ. მარუაშვილი.

კახათი, სოფელი ზუგდიდის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭო. ზ. დ. 40 *მ*, ზუგდიდიდან 8 *კმ*, ინგირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. კ. მარქსის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა), ჩაის ფ-კა. 2 საშ. სკოლა, 2 სამუსიკო სკოლა, 3 საბავშვო ბაღი, 3 ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), პოლიკლინიკა, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. შემორჩენილია XVII ს. ციხესიმაგრის ნანგრევები. 1905 გლეხთა აჯანყების მემორიალი.

კახარეთი, სოფელი ადიგენის რ-ნში (ლელოვნის სოფსაბჭო), ერუშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ*, ადიგენიდან 5 *კმ*, ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 35 *კმ*. ლელოვნის კოლ-ბა (მებაღეობა, მესაქონლეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი.

კახაძე ივანე რაჟდენის ძე [22. XII. 1904 (3. I. 1905), სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 17. V. 1955, თბილისი], ქართველი საბჭ. გეოლოგი. საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1950), გეოლ. მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947). დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი (1930). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. კ-ის შრომები შეეხება კავკასიის მეზო-კაინოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და ტექტონიკის საკითხებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართვ. და ჩრდ. კავკ. სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირი, ბარიტი, პოლიმეტალები, სამშენებლო ქვები და სხვ.) საბადოების გეოლ. აგებულების შესწავლის საქმეში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Грузия в юрское время, «გეოლოგიური ინ-ტის შრომები. გეოლოგიური სერია», 1947, ტ. 3(8); საქართველოს შუა იურულის ფაუნა, იქვე, 1942, ტ. 1 (6)$_3$; შენიშვნები კავკასის რაიონის ტექტონიკის შესახებ, «საქ სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 2.

ვ. ზესაშვილი.

კახაძე ოტია ილარიონის ძე (დ. 28. III. 1918, ქ. ტყიბული), ქართველი საბჭ. ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1973), სკკპ წევრი 1965-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1945). სამეცნ. მოღვაწეობას ეწევა საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტში (უფროსი მეცნ. მუშაკი). კ-ის შრომები ეძღვნება ქართ. ლექსიკოგრაფიის, დიალექტოლოგიისა და მთის იბერიულ-კავკ. ენათა სტრუქტურისა და

ისტ. საკითხებს. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ტ. 1—8, 1950—64) მომზადებაში (V ტომის ერთ-ერთი რედაქტორი), რისთვისაც მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია (1971).

თხზ.: არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის, თბ., 1977.

კახ-ბაში, საქართველოს ისტორიული მხარის *ჰერეთის* ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულის — *კაკის* — ნაწილი. შედის ახლანდ. აზერბ. სსრ კახის რ-ნში, რ-ნული ცენტრის — დაბა კახის ნაწილი. კ.-ბ-ის ტერიტორიაზე დაცულია საკულტო არქიტექტურის ძეგლი — VI—VIII სს. ბაზილიკა.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

კახეთი, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს მდ. ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს. კ-ის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვ. სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხ. სანაპირო). უძველეს დროს კ. გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი თიანეთსა და უჯარმას შორის). ცენტრი *ჩელეთი* (იხ. აგრეთვე *ყალეთი*), IV ს-იდან — *უჯარმა*. კ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები. ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო დროთა ვითარებაში ოავდაპირველი კ-ის გარშემო გაერთიანდა მომიჯნავე პოლიტ. ერთეულები. ადრინდ. ფეოდ. ხანაში კ. უკვე ერწოთიანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიასაც მოიცავდა. VIII ს. ბოლოს კ-ის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე *კუხეთი* და *ჰერეთის* ტერიტ. ნაწილი (XV ს-იდან კი მთელი ჰერეთი). XI ს-იდან კ-ის პოლიტ. ცენტრია თელავი, XV ს-იდან— გრემი (იხ. სტატიები: *კახეთის სამთავრო, კახეთის სამეფო*). საქ. სსრ ადმ.-ტერ. დაყოფით კ. მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელი წყაროსა და ყვარლის რ-ნების ტერიტორიას.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1955—59; ტ. 4, თბ., 1973.

დ. მუსხელიშვილი.

კახეთის აჯანყება 1605, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყების უშუალი საბაბი გახდა, შაჰ აბას I-ის დავალებით კონსტანტინე მირზას მიერ (იხ. *კონსტანტინე I*, კახეთის მეფე) მამის, *ალექსანდრე II-ის* ძმისა და სხვ. კახელი დიდებულების დახოცვა (12. III). ამ ფაქტმა კახეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მოსახლეობამ გამაჰმადიანებული კონსტანტინე I მეფედ არ მიიღო და იარაღს მოჰკიდა ხელი. აჯანყება ქიზიყიდან დაიწყო. კონსტანტინე I სასწრაფოდ გაემართა იქითკენ და დიდი საჩუქრებით, დაპირებებითა და შაჰის აგენტების დახმარებით მოახერხა აჯანყებულთა ასისთავეების მოსყიდვა. მარტის დამლევს კონსტანტინე I გრემში ჩავიდა. აქ თავადებსა და სხვ. თავკაცებს დიდი პატივი სცა, შაჰის სახელით შირვანში ლაშქრობა გამოაცხადა, მოლაშქრეებს დიდ ჯილდოს შეპირდა. ამით მან აჯანყება დროებით შეაჩერა. კახეთის მესვეურები, რ-თაც სათავეში მეფე დავით I-ის ქვრივი ქეთევან დედოფალი ედგა, გარეგნულად კონსტანტინეს ერთგულობდნენ, ფარულად კი ანჯაყებისათვის ემზადებოდნენ. კონსტანტინე I-მა კახეთის 10-ათასიანი ჯარით და ყიზილბაშთა ლაშქრით შირვანზე გაილაშქრა და ქ. შემახას ალყა შემოარტყა. ალყა ძალიან გაჭიანურდა. კახთა ლაშქარი უკმაყოფილებამ მოიცვა. შეთქმულებმა ისარგებლეს მომენტით და ღამით კონსტანტინე I-ის კარავს დაეცნენ. რენეგატი გაიქცა, მეორე დილით კი კახ მოლაშქრეთა შეჩერება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. აჯანყებულები ბრძოლის ველიდან შინისაკენ დაიძრნენ, ყიზილბაშები კი — ირანისაკენ. აჯანყებულ კახთა მოციქულებმა აბას I-ს მორჩილება აღუთქვეს და მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი (დავით I-ის ძე, შემდეგში *თეიმურაზ I*) მოითხოვეს. შაჰმა, რ-იც ოსმალეთთან ომისათვის ემზადებოდა, ისინი იმედით გამოისტუმრა. აჯანყებულებმა დახმარება სთხოვეს ქართლის მეფეს გიორგი X-ს, რ-მაც მათ პაპუნა ამილახვარი მიაშველა ზემო ქართლის ჯარით. ბრძოლა გაიმართა 22 ოქტ. ბელაქნისწყალზე, სადაც კონსტანტინე I-ის ლაშქარი დამარცხდა, ხოლო თვითონ ბრძოლაში დაიღუპა. კ. ა-მ აიძულა შაჰი დათმობაზე წასულიყო. მან 1606 კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი დაამტკიცა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969; პასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., შენიშვნები რ. ჯიკაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნარსია.

კახეთის აჯანყება 1615, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. ირანის შაჰის აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შევიწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერის მომენტს უცდიდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით კავშირი შეკრა დას. საქართვ. მეფე-მთავრებთან. აჯანყება დაიჩქარა ოსმ. არმიის დამარცხებამ სპარს. საზღვრებისაკენ. აჯანყება 15 სექტ., ალავერდობას დაიწყო, მას სათავეში ედგნენ ნიდარ ჯორჯაძე და დავით ჯანდიერი. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაშები მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. კ. ა-ს მხარი აუბა შირვანმაც. აბას I-მა აჯანყების ჩასაქრობად 15-ათასიანი არმია გაგზავნა ალიყული-ხანის სარდლობით. ყიზილბაშების სარდლობასთან მყოფი ქართველები მტერს თეიმურაზ I-ის ლაშქრის მოძრაობის გზას უმალავდნენ, ხოლო სპარსელთა ჯარის გეგმებს აჯანყებულებს ატყობინებდნენ. ამით ისარგებლა თეიმურაზ I-მა და 5—6 ათ. კაცით დაამარცხა მტრის ლაშქარი, რ-ის ერთი ნაწილი უბრძოლველად გაიქცა, ბევრი მდ. მტკვარსა და არაგვში დაიხრჩო.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნარსია.

კახეთის აჯანყება 1659, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ. კახეთის საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად სპარსელმა დამპყრობლებმა გადაწყვიტეს კახეთიდან ადგილ. მოსახლეობის გასახლება და იქ მომთაბარე-მეჯოგე ტომთა ჩასახლება. ყიზილბაშებმა დაიწყეს კახეთში ციხეების აგება (ბახტრიონი, ალავერდის მონასტერი ციხესიმაგრედ გადააკეთეს), რ-თა გარნიზონებს ჩასახლებული თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან უნდა დაეცვა. კახეთის ტერიტ. ორად გაყვეს: სამხრ.-აღმ. ნაწილი ყარაბაღის ბეგლარბეგს გადასცეს, დანარჩენი — ნახჭევანის მმართველს, რ-თაც მათზე დაქვემდებარებული ელები კახეთში უნდა დაესახლებინათ. ამ ღონისძიების შედეგად კახეთის ბარში 80 ათ-მდე თურქმანი ჩასახლეს. კახეთი დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქმანთა ჩასახლების წინააღმდეგ დაიწყო სახალხო მოძრაობა, რ-შიც მოსახლ. დიდი ნაწილი ჩაება. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ზაალ არაგვის ერისთავი. უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარ ერისთავისშვილი. აჯანყებაში აქტ. მონაწილეობა მიიღეს თუშ-ფშავ-ხევსურებმა ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის, გოგოლაურის მეთაურობით. ქართველები გაერთ. ძალით თავს დაესხნენ ბახტრიონისა და ალავერდის ციხეებს და მთლიანად ამოწყვიტეს იქ გამაგრებული თათრები. შემდეგ გაანადგურეს კახეთის სხვა ადგილებში მყოფი თათრები. აჯანყებულთა გათიშვისა და დაქსაქსვის შედეგად მტერმა შეძლო აჯანყების შეჩერება, მაგრამ შაჰი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის გეგმაზე. ზაალ არაგვის ერისთავი მტრის დავალებით თავისივე ძმისწულებმა მოკლეს, მისი შვილები კი შაჰს გაუგზავნეს. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და ელიზბარ ერისთავისშვილი შაჰს მიუვიდნენ და პატიება ითხოვეს. შაჰმა ისინი იმ ტომებს გადასცა, რ-თა თანამოძმენი კახელებმა გაჟლიტეს. გმირები წამებით დახოცეს. ქართ. ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. აჯანყების მოთავე მთიელებს ხალხმა მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა. ამ ამბებისადმია მიძღვნილი ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“. კ. ა-ის შედეგად კახეთის მოსახლეობა ფიზიკურ გადაშენებას გადაურჩა, მაგრამ სპარსელთა ბატონობის საბოლოოდ მოსპობა ვერ მოხერხდა. განთავისუფლებისათვის ბრძოლა ისევ გრძელდებოდა.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; მოპამედ თაპერის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკ. 30.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4. თბ., 1973.

გ. ნარსია.

კახეთის კავკასიონი, კავკასიონის უკიდურესი აღმ. მონაკვეთი საქართველოს ფარგლებში. იწყება მწვ. დიდი ბორბალოდან და მთავრდება მწვ. ტინოვროსოსთან. ჩრდ. საზღვარი მიუყვება კ. კ-ის ალპურ ლანდშაფტიან თხემს, ხოლო სამხრეთი — მთისწინეთს. მოიცავს მდ. ალაზნის ზემო დინების ხეობას (პანკისის ხეობა), ალაზნის მარცხ. შენაკადებისა და ილტოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) აუზებს. აგებულია ძირითადად ქვედა და შუაიურული ასაკის თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების ინტენსიურად დანაოჭებული წყებებით. ქვემო კალთებზე აქა-იქ ცარცული სისტემის ნალექებია. მდ-ების დიდხევის, სტორისა და ლოპოტის ხეობებში გავრცელებულია პალეოზოური გრანიტოიდები, კრისტ. ფიქლები და მარმარილო. მთავარი წიალისეულია: მარმარილო (ლოპოტის), მინერ. სამკურნ. წყალი (თორღვას აბანოს). კ. კ-ის რელიეფში გაბატონებულია მთავარი ქედის მოკლე, ციცაბო, ეროზიული განტოტებები და მდინარეთა ღრმა გარდიგარდმო ხეობები. კ. კ-ის თხემური ზოლის დას. ნაწილში შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი. კ. კ-თვის დამახასიათებელია ჰავის სიმაღლებრივი ზონალურობა დაწყებული ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილიდან დამთავრებული მაღალმთის ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ჰავით. მდ-ებს ახასიათებს წყალმოვარდნა და სელური ღვარები (ღვარცოფი), წყალდიდობა აპრილივნისში, წყალმცირობა — ზაფხულსა და ზამთარში. სუბალპ. და ალპ. ზონაში არის მცირე ზომის ტბები: გრძელი ტბა, ნახე-

კახეთის კავკასიონი

მთავარი ქედის უმაღლესი მწვერვალები	
დიდი ბორბალო	3294 მ
შავიკლდე	3576 მ
ბიბიკასციხე	3117 მ
ტინოვროსო	3374 მ
ყადორი	2866 მ

მთავარი ქედის სამხრეთი განტოტებები

კახეთისა
პანკისისა
სპეროზისა
ნაქერალისა
ანდარაზანისა
გირგალი-საგიხვისა
მსხალგორისა

მთავარი მდინარეები

ილტო
ალაზანი
სტორი
ლოპოტა
დიდხევი
ინწობა
ჩელეთი
დურუჯი
ბურსა
კაბალი
ლაგოდეხისწყალი
მაწიმი

ვარტბა, მართოთი და სხვ. კ. კ-ის ქვემო კალთებზე მთის ტყის ყომრალ ნიადაგებზე განვითარებულია მუხნარ-რცხილნარი, რ-საც ურევია წიფელი, წაბლი, ცაცხვი და სხვ. ზემო კალთებზე ღია ფერის და გაეწრებულ ტყის ყომრალ ნიადაგებზე გაბატონებულია წიფლის ტყე, მასში შერეულია რცხილა, ნეკერჩხალი და სხვ. კ. კ-თვის დამახასიათებელია კოლხეთისა და ჰირკანის მცენარეულობის რელიქტები: ბელქვა, ბზა, თალიშური სურო და სხვ. ტყის ზონის ზემოთ არყის ტანბრეცილი ტყეებია, არის აგრეთვე ცირცელი, ბოკვი. უფრო ზემოთ (2400—2500 *მ*-იდან) მთის კორდიან და კორდიანტორფიან ნიადაგებზე გავრცელებულია სუბალპ. და ალპ. ბალახეულობა, რ-საც იყენებენ საძოვრებად. ჩრდ. ექსპოზიციის კალთებზე დეკიანებია. კ. კ-ზე ჩამოყალიბებულია ზომიერად ნოტიო პავიანი შერეული ფართოფოთლოვანი მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტები. მის ტერიტორიაზე არის ლაგოდეხის, ბაწარისა და ბაბანეურის სახელმწ. ნაკრძალები. კ. კ-ის მთავარ მდინარეთა ხეობების ქვემო ნაწილები ათვისებულია სამეურნეოდ. *დ. უკლება.*

კახეთის მევენახეთა ყრილობა, შედგა 1899 წ. 20—25 ნოემბერს ქ. თელავში ფილოქსერის კავკასიური კომიტეტისა და მისი წევრის ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივით. ყრილობის მიზანი იყო კახეთის სოფ. მეურნ. ძირითადი დარგის — მევენახეობის მოვლა-პატრონობისა და მავნებელთაგან ვაზის კულტურის დაცვის ღონისძიებათა შემუშავება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ფილოქსერა, რ-იც უკვე ანადგურებდა დას. საქართვ. ვენახებს და შეჭრილი იყო გორის მაზრაშიც. მართალია, კახეთს ამ საშინელი მავნებლისაგან იცავდა მთები და საკმაოდ დიდი უვენახო სივრცეების ზოლი, მაგრამ ფილოქსერის საფრთხე მაინც იზრდებოდა.

კ. მ. ყ-მ განიხილა კახეთში უკვე გავრცელებული ვაზის სოკოვან დაავადებათა (მილდიუსა და ოიდიუმის) წინააღმდეგ ბრძოლის, ფილოქსერისაგან დასაცავად ამერ. ვაზის სანერგეთა გაშენების (ასეთი სანერგე იყო საქარაში 1893-იდან) საკითხები. ამერ. ვაზის საბირეზე დამყნობით უნდა გადაერჩინათ კლასიკური ჯიშის ადგილ. ვაზები. (დას. საქართველოში ეს უკვე კეთდებოდა). ყრილობამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

წვრილ მევენახეებს ვენახისმფლობელთა ყრილობაში მონაწილეობა არ მიუღიათ და არც მათი ინტერესების დაცვაზე ყოფილა მსჯელობა. კ. მ. ყ-მ მოისმინა როგორც მევენახეთა, ასევე ცნობილი სპეციალისტების (ი. ანდრონიკაშვილი, პ. ავერკინი, პ. გეევსკი, ნ. გოზალიშვილი, გ. კოლელიშვილი, ნ. ვაჩნაძე, ს. ვახვახიშვილი, მ. ვერმიშევი, ს. ზავაროვი, ა. დემენტიევი, დ. მაყაშვილი, პ. სააკაშვილი, ი. და ვ. სტაროსელსკები, ვ. რცხილაძე, ლ. ჯანდიერი, ი. ჯორჯაძე, გ. შალიკაშვილი და სხვ.) მოხსენებები და სიტყვები.

ლიტ.: გ ო გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. 4, წგნ. 1, თბ., 1962; ტ. 5, თბ., 1965; Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии в г. Телави в 1899 г., Тфл., 1907.

პ. გუგუშვილი.

კახეთის მევენახეობის საცდელი სადგური, იხ. *საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.*

კახეთის სამეფო, 1. ქართული ფეოდალური სახელმწიფო XI ს. და XII ს. დასაწყისში. ბიზანტიასთან გიორგი I-ის ურთიერთობის გართულებით ისარგებლა კახთა ქორეპისკოპოსმა *კვირიკე III-მ,* განუდგა საქართვ. მეფეს, „დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა" (ვახუშტი). ამიერიდან მთელი XI ს. განმავლობაში კ. ს. მთლიანი საქართველოსაგან განცალკევებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისი მესვეურები „კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის" ტიტულს ატარებდნენ. კ. ს. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ქსნიდან (დას-ით) ალაზანგანჩაიმდე (აღმ-ით) და დიდოეთ-ხუნძახიდან (ჩრდ-ით) მტკვრამდე (სამხრ-ით). მის ფარგლებში შედიოდა ჰერეთის სამეფოს აღმ. ნაწილი — ახლანდ. აზერბ. სსრ ჩრდ.-დას. ნაწილი (ბელაქნის, ზაქათალის, კახის და შაქის რ-ნები). ამიტომ თუ ქართ. წყაროების მიხედვით კახეთის მფლობელი ოფიციალურად „რანთა და კახთა მეფედ" იწოდებოდა, არაბ. წყაროებში იგი „შაქთა და გურჯთა მეფედ" ანუ იმავე „რანთა (ჰერთა) და კახთა მეფედ" იხსენიება. კვირიკემ ახალშექმნილი სახელმწიფოს ცენტრი თელავში გადაიტანა, ააგო სასახლე (დღევანდელი „ძველი გალავანი" თელავში), ჩაატარა გარკვეული ადმ. რეფორმა — სამეფო დაყო 7 საერისთავოდ (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, შტორის, ვეჯინის, ხორნაბუჯის და მაჭის). ფაქტობრივად, როგორც ჩანს, კვირიკემ შერყეული ძვ. ვითარება აღადგინა. პირველ ხანებში კახეთის მეფეები გაერთ. საქართვ. მეფეების მოკავშირედ გამოდიოდნენ უცხო აგრესორებთან ბრძოლაში. მაგ., კვირიკე III გიორგი I-ს ეხმარებოდა ბიზანტიასთან ბრძოლაში, ხოლო ბაგრატ IV-ს — განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. მაგრამ უფრო მოგვიანებით, როდესაც ბაგრატ IV-მ ენერგიული ღონისძიებები გაატარა კ. ს-ს საქართველოსთან კვლავ შესაერთებლად, კახთა მეფეები თურქ-სელჩუკებს დაუკავშირდნენ და ამ გზით შეეცადნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. *აღსართან I-მა,* კ. ს. რომ შეენარჩუნებინა, ქრისტიანობაც კი დათმო და გამაჰმადიანდა. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება დროებითი იყო, რადგან გაერთ. საქართვ. მეფეს კ. ს-ში საკმაოდ ძლიერი დასაყრდენი ჰქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი აზნაურების სახით (აშოტ მარილელი, ხახულა გურნი, ვეჯინის ერისთავი წირქვალელი და სხვ.). სწორედ დიდებულ აზნაურთა ამ ღასის, კერძოდ, *არიშიანისა* და მისი მომხრეების მხარდაჭერით შეძლო დავით აღმაშენებელმა XII ს. დასაწყისში კახეთის უკანასკნელი მეფის აღსართან II-ის შეპყრობა და კ. ს-ს შემოერთება. ამიერიდან კ. ს. გაერთ. საქართველოს ადმ. წესწყობილებისდა კვალად რამდენიმე ადმ. ერთეულად დანაწილდა (კახეთის, ჰერეთის საერისთავოები, ხორნაბუჯის სანაპირო, „არიშიანის ადგილი").

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959. *დ. მუსხელიშვილი.*

2. ვვიანდ. საუკუნეების ფეოდ. საქართვ. ერთ-ერთი სამეფო (1465—1762). მისი პოლიტ. საზღვრები იყო: დას-ით მდ. არაგვი, სამხრ-ით და სამხრ.-დას-ით მდ. მტკვარი, ჩრდ-ით კავკ. მთავარი ქედი (ადგილ-ადგილ საზღვარი ქედს გადალმაც გადადიოდა: პირიქით ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახური კ. ს-ს საზღვრებში შედიოდა). XVII ს. დასაწყისამდე კახეთის აღმ. საზღვარი იწყებოდა იქ, სადაც იორ-ალაზანი მდ. მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდ-ით ავჯინოურის ტბის გასწვრივ, კეეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის (გიშჩაი) გაყოლებით კავკ. ქედამდე გადიოდა. შემდეგ საზღვარმა დას-ით ყაფიჩაიმდე (კარის მდინარე) გადმოიწია. დედაქალაქი გრემი, XVII ს. 70-იანი წლებიდან თელავი.

კ. ს-ს ისტორია შეიძლება 3 ძირითად პერიოდად გაიყოს: 1. სამეფოს წარმოქმნიდან XVII ს. დასაწყისამდე; 2. XVII ს. დასაწყისიდან 1744-მდე; 3. 1744—1762 წწ.

კ. ს. წარმოიქმნა ფეოდ. საქართველოს დაშლის შედეგად. სამცხის ათაბაგის *ყვარყვარე II-ის* მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების (1465) შემდეგ კახეთის ერისთავებმა და წარჩინებულებმა თავიანთ დამოუკიდებელ მთავრად დასვეს ერთ-ერთი ადგილ. ერისთავი დავითი. 1466 გიორგი VIII-მ ქართლის სამეფოს დაკარგვის შემდეგ დაამარცხა დავითი, დამკვიდრდა კახეთში და სათავე დაუდო კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. გიორგი VIII-ის (კახეთში გიორგი I) დროს გაუქმდა საერისთავოები და ერისთავების გამგებლობაში მყოფი სამეფო სამფლობელო მოურავებს გადაეცათ. მოურავობის ინ-ტი კახეთის მეფეების ხელში ადგილ. ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება იყო. ამ სახელოს იღებდნენ კახეთის ძლიერი ფეოდ. საგვარეუ-




კავკასიის თავდაცვა
1942 წ. ივლისი-დეკემბერი
1:5 500 000
ჩრდილო კავკასიის თავდაცვითი ოპერაცია
(1942 წ. 25 ივლისი-28 სექტემბერი)
ჩრდილოეთ კავკასიის
განთავისუფლება
1948 იანვარ - ოქტომბერი
1 3 500 000


1:5 600 000


ეკონომიკური რაკა
Fe
Mn
Cr
Ni
Co
W
Mo
Cu
Au
Гр
Ba
Mg
1:5 600 000

ლოების ცალკეული წარმომადგენლები სხვა თანამოგვარეებისაგან (სახლიკა

შემდეგ გამოცხადდა შაჰთან. აბას I-მა კახეთის ჩამოაშორა კაკ-ენისელი და იქ მუსლ. სასულთნო შექმნა. შაჰი ალექსანდრეს არ ენდობოდა, ამიტომ უკან გამობრუნებულს თან გაატანა მასთან მძევლად მყოფი ალექსანდრეს უმცროსი ვაჟი კონსტანტინე მირზა (იხ. *კონსტანტინე I*), რ-იც ვერაგულად დაეუფლა ტახტს. ჯ. ს-ში კონსტანტინე I-ის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო (იხ. *კახეთის აჯანყება 1605*). აჯანყებულებმა გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს კონსტანტინე I. შაჰი აბას I იძულებული გახდა კახეთის მეფედ დაემტკიცებინა ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზი (შემდეგში *თეიმურაზ I*), მაგრამ ოსმალეთთან მშვიდობის ჩამოგდებისთანავე, 1614—17, აბას I-მა 4-ჯერ ილაშქრა კახეთში და ქვეყანა მიწასთან გაასწორა (იხ. *აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში*). 1618 თეიმურაზ I-ის ინიციატივით დას. საქართვ. მეფე-მთავრებმა საერთო ელჩობა გაგზავნეს რუსეთში დახმარების სათხოვნელად. 1624 კიდევ ახ. ელჩობა გაიგზავნა რუსეთში. ქართლ-კახეთში ირანის საწინააღმდეგო მოძრაობა გაიშალა. ქართლ-კახეთის ამოსაგდებად გამოგზავნილი ირანის არმია აჯანყებულმა ქართველებმა გ. სააკაძის მეთაურობით მარტყოფთან გაანადგურეს (იხ. *მარტყოფის ბრძოლა 1625*). გაერთიანებული და განთავისუფლებული ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I გამოცხადდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახ. დიდ ჯართან *მარაბდის ბრძოლაში* ქართლ-კახეთის გაერთ. ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა მიზანს ვერ მიაღწია. მალე 1626, *ბაზალეთის ბრძოლაში* თეიმურაზმა დაამარცხა გ. სააკაძე და ქართლ-კახეთიდან განდევნა. აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი ირანს აუმხედრდა. ახ. შაჰმა სეფი I-მა თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომი გაგზავნა, რ-მაც შეძლო თეიმურაზ I-ის განდევნა ქართლ-კახეთიდან. 1634 თეიმურაზ I-მა კვლავ დაიკავა კახეთი. 1639 მან საზეიმოდ მიიღო რუს. მეფის ერთგულების „ფიცის წიგნი". 1648 შაჰის აბას II-ის ბრძანებით როსტომმა ყიზილბაშთა ჯარით კახეთში ილაშქრა. დაამარცხა თეიმურაზ I და აიძულა იმერეთში გადახვეწილიყო. თეიმურაზმა რუსეთიდან დახმარების მიღების მიზნით 1652 მოსკოვში გაგზავნა თავისი შვილიშვილი ერეკლე დავითის ძე დედამისთან, ელენე დედოფალთან ერთად. აბას II-მ კახეთი სამართავად გადასცა განჯის ხანს, კახეთში თურქმანთა ჩასასახლებლად მზადებას შეუდგნენ. ამ დიდ საფრთხეს კახეთის მოსახლეობა კარგად გრძნობდა. 1658 მოსკოვში ჩავიდა თეიმურაზ I. რუსეთი პოლონეთთან და შვედეთთან ომით იყო დაკავებული და საქართველოსთვის დახმარების გაწევა არ შეეძლო. ამით ისარგებლეს სპარსელებმა: მცირე ხანში კახეთში ჩასასახლეს თურქმანების 15000 ოჯახი; ჯ. ს. 2 ნაწილად გაყვეს და სამართავად გადასცეს ყარაბაღის ბეგლარბეგსა და ნახჭევანის მმართველს. კახეთში იფეთქა მძლავრმა სახ. აჯანყებამ (იხ. *კახეთის აჯანყება 1659*). კახეთი ერთიანად გაიწმინდა ჩასახლებული თურქმანებისაგან (იხ. *ბატრიონის ბრძოლა 1659*). კახეთი ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ დაიკავა. 1664 აბას II-მ კახეთი გადასცა ვახტანგ V-ის უფროს ვაჟს არჩილს (იხ. *არჩილ II*). 1661-იდან თუშეთში იმყოფებოდა მოსკოვიდან წამოსული თეიმურაზის შვილიშვილი ერეკლე (იხ. *ერეკლე I*), რ-მაც რამდენჯერმე სცადა კახეთის დაკავება, მაგრამ მამა-შვილთან (ვახტანგ V და არჩილ II) ბრძოლაში დამარცხდა და რუსეთში დაბრუნდა (1666). არჩილ II-მ დედაქალაქი თელავში გადაიტანა, განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი შენობა, სცადა ლეკიანობის აღაგმვა. ირანის შაჰმა სულეიმან I-მა არჩილ II-ს დაუპირისპირა ერეკლე ბატონიშვილი, რ-იც 1674 რუსეთიდან მოიწვია. არჩილი იმერეთში გადავიდა. შაჰმა ერეკლეს გამაჰმადიანება მოსთხოვა. 1677 ერეკლეს მაგივრად კახეთის მმართველად (ჯანიშინად) დაინიშნა გამაჰმადიანებული გორჯასპი კახაბრიშვილი (იხ. *ბეჟან-ხანი*), 1688-იდან 1703-მდე კახეთს განჯის ხანები მართავდნენ. ამ პერიოდში ჯ. ს-ში მოიშალა ადგილ. მმართველობა, გაძლიერდა ლეკიანობა. დაღ. მთიელები მასიურად ჩასახლდნენ აღმ. კახეთის ტერიტორიაზე. ყოველივე ეს კახეთის მოსახლეობის თავდადებულ წინააღმდეგობას იწყევდა. 1703 შაჰი იძულებული გახდა კახეთში ხანების მმართველობა გაუუქმებინა და კვლავ ქართვ. მეფეთა ხელისუფლება აღედგინა. შაჰმა კახეთის მეფედ ერეკლე I დაამტკიცა, რ-იც აქამდე (1688—1703) ქართლს განაგებდა. შაჰმა ერეკლე I ირანში დაიტოვა, ხოლო კახეთში ჯანიშინად მისი უფროსი ვაჟიშვილი დავითი (იხ. *დავით II*) გაგზავნა. დავით II-ის (იმამყული-ხანის) მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ლეკიანობა კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ამასთან კახელი გლეხობა მასობრივად გადადიოდა ლეკების მხარეზე, რადგან მათთან „უბატონობას" ეძებდა. ადგილი ჰქონდა გლეხთა აქტ. ანტიფეოდ. გამოსვლებსაც (იხ. *ბოდბისა და ბოდბისხევის გლეხთა აჯანყებანი 1699, 1711-16*)1722-იდან კახეთს განაგებდა დავითის ძმა *კონსტანტინე II* (მაჰმადყული-ხანი), რ-საც ირანის შაჰმა თბილისის დაკავება უბრძანა. 1723 კონსტანტინემ თბილისი დაიკავა, ამასობაში ქართლში ოსმალები შეიჭრნენ და კონსტანტინე II კახეთში დაბრუნდა. მან ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ რუსეთიდან დახმარების მიღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. კონსტანტინე II დამარცხდა ოსმალებთან ბრძოლაში ჯერ ყაზახთან 1724, შემდეგ გუფასთან 1725 და ფშავში გაიხიზნა. ამ ვითარებით ისარგებლეს ლეკებმა და განიზრახეს კახეთის მთლიანად დაკავება და გამაჰმადიანება. როდესაც ლეკებმა თვითონ მოინდომეს კახელი გლეხების ყმადქცევა, მოსახლეობამ ისინი კახეთიდან გააძევა. მეფე კონსტანტინე II თელავში დაბრუნდა. ლეკთა წვრილ-წვრილი თარეში მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი გაღმა მხრის კახეთის აღმ. ნაწილში. 1727 ოსმ. სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს მათ მიერ მიტაცებული კახური მიწა-წყალი. ასე ჩამოსცილდა კახეთს საბოლოოდ მისი აღმ. ნაწილი (საინგილო), სადაც ჭარ-ბელაქნელი აღალარების სახელმწიფო ჩამოყალიბდა. კონსტანტინე II იძულებული გახდა ოსმალებს დაზავებოდა და ხარკი ეკისრა. კახეთის მოსახლ. ბრძოლას ოსმალებისა და ლეკების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა *თეიმურაზ II*. ეს მოძრაობა ირანის სარდალმა ნადირმა (თამაზ I ყული-ხანი) ქართლ-კახეთიდან ოსმალების გასაძევებლად გამოიყენა (1735), ხოლო თეიმურაზ II დაკავა და კახეთის მმართველად მისი ძმისწული, გამაჰმადიანებული ალექსანდრე ბატონიშვილი (დავითის ძე), დანიშნა. მალე თეიმურაზ II-მ თავი დაალწია ირანელთა ტყვეობას და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. 1736 იგი ირანის დამსჯელი ჯარის სარდალმა სეფი-ხანმა ვერაგულად დატყვევა და ისპაანში გაგზავნა. ირანის შაჰმა ნადირმა თეიმურაზი კახეთის მმართველად დააბრუნა (1738), ხოლო ინდოეთში სალაშქროდ მისი ძე ერეკლე (შემდეგში ერეკლე II) იახლა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო: 1742 მან კახეთი ხარკისაგან გაათავისუფლა, კახეთს მხოლოდ 500-კაციანი ნოქრის გამოყვანა ევალებოდა. ქვეყანა შედარებით დამშვიდდა, მოსახლეობა მომრავლდა. კახეთისაკენ მასობრივად მიემართებოდნენ ქართლიდან აყრილი გლეხები. 1743 არაგვისხეველები ბეჟან ერისთავს აუჯანყდნენ და მოკლეს (იხ. *არაგვის საერისთავოს გლეხთა აჯანყება 1742—46*). მთა თავიანთ პატრონად თეიმურაზ II მიიწვიეს. ნადირ-შაჰმაც არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს დაუმტკიცა. 1744 თეიმურაზმა ქსნის ხეობაც დაიკავა. თეიმურაზი და ერეკლე აქტიურად დაეხმარნენ ნადირ-შაჰს ოსმალეთისა და მათ მხარეზე მდგომი ქართლის თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. *აჩაბეთის ბრძოლაში* ერეკლეს მეთაურობით კახელებმა დაამარცხეს ოსმალთა ჯარი, 1744 ივნისში ნადირ-შაჰმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე II კახეთის მეფედ დანიშნა.

მე-3 პერიოდი ჯ. ს-ს ისტორიაში არის უკვე ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების დასაწყისი. ქართლ-კახეთის ტახტზე ქრისტ. წესით ასული მამა-შვილი ერთობლივად მოქმედებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. 1746 ერეკლე II-ს მოუხდა ქსნის, არაგვის და თრუსოს ხეობის მთიელების აჯანყების ჩახშობა. 1747 ქართლი და კახეთი აუჯანყდნენ ნადირ-შაჰს. საქართველოს მაგალითით აჯანყდნენ კავკ. სხვა ქვეყნებიც და შემდეგ მთელი ირანიც. იმავე წელს ნადირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს და ირანი გაუთავებელმა არეულობამ მოიცვა. თეიმურაზის ირანში ყოფნის დროს ერეკლე II-მ დაამარცხა ქართლის ტახტის პრეტენდენტი აბდულა-ბეგი. თეიმურაზის დაბრუნების შემდეგ მამა-შვილი წარმატებით იბრძოდა ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის და ზედიზედ დაამარცხეს კავკასიაში გაბატონების მოსურნე ყიზილბაში ხანები (მაჰმადხანი 1749, ფანა-ხანი 1750). ამ გამარჯვებების შედეგად ქართლ-კახეთს დამორჩილდნენ ერევნის, ნახჭევანის და განჯის სახანოები. დღის წესრიგში დადგა აღმ. კახეთის (ჭარ-ბელაქნის და კაკ-ენისელის) დაბრუნების საკითხი. 1750 ერეკლე II-მ დაამარცხა პირაქეთა და დაღ. ლეკთა გაერთ. ჯარი, 1751-კი ქართლ-კახეთის ჯარი ქვეშევრდომ ხანთა დამხმარე ჯარებთან ერთად ჭარში შევიდა, მაგრამ ერეკლე-თეიმურაზის ჯარი დამარცხდა (იხ. *აგრის ბრძოლა 1751*), რადგან მათ წინააღმდეგ გამოვიდა შაქის ხანი აჯი-ჩალაბი, თანაც ქართლ-კახელებს მაჰმადიანმა ხანებმა უღალატეს. ერეკლემ და თეიმურაზმა მეორედ განიცადეს მარცხი აჯი-ჩალაბთან 1752 დასაწყისში *განჯის ბრძოლაში* ისევ მაჰმადიანი ხანების ღალატის გამო, მაგრამ მამა-შვილმა ენერგიული ღონისძიებების შედეგად საბოლოოდ აჯი-ჩალაბი მაინც დაამარცხა. აღმ. კახეთის შემოერთება მაინც ვერ მოხერხდა. 1752 ერეკლემ და თეიმურაზმა რუსეთში ელჩობა გაგზავნეს *ათანასე თბილელისა* და სვიმონ *მაყაშვილის* მეთაურობით. ეს ელჩობაც უშედეგოდ დამთავრდა. ქართლ-კახეთის პოლიტ. მდგომარეობის გართულებით ისარგებლეს დაღ. ფეოდალებმა და წვრილ-წვრილ შემოსევებთან ერთად 2 დიდი ლაშქრობაც მოაწყვეს (მჭადიჯვრის ბრძოლა 1754, ყვარლის ალყა 1755), მაგრამ ისინი ერეკლემ ორივეჯერ სასტიკად დაამარცხა. ლეკიანობის აღსაკვეთად ქართლ-კახეთის სამეფო კარი არაერთ ღონისძიებას სახავდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ძალებით მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო. 1760 თეიმურაზ II პეტერბურგს გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ რუსეთი მაშინ პრუსიასთან ომში იყო ჩაბმული და ქართველთა თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო. თეიმურაზ II-ის პეტერბურგში გარდაცვალების (1762 წ. 8. I) შემდეგ ერეკლე II-მ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. 1762 ქართლი და კახეთი ფორმალურადაც ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

ლიტ.: ასათიანი ნ., ბატრიონის გმირული ეპოპეის 300 წლისთავის გამო, «მნათობი», 1959, № 8; მისივე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), «თსუ შრომები», 1963, ტ. 78; მ ი ს ი ვ ე, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI—XVIII სს. კახეთის სამეფოში, იქვე, 1959, ტ. 77; ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ.,

აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 3, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, რუსეთ-საქართველოს ერთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, იქვე, წგნ. 4, თბ., 1967; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6, თბ., 1973; პ ა ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ც ი ნ ცა ძ ე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1956; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 4, თბ., 1967.

ნ. ასათიანი.

კახეთის სამთავრო, ფეოდალური ხანის ერთ-ერთი ქართული სახელმწიფოებრივი ერთეული, რ-იც VIII ს. 80-იან წლებში (ვახუშტის ცნობით — 787) გამოეყო ქართლის საერისმთავროს. კ. ს-ს გამოყოფა გაპირობებული იყო ქართლის საერისმთავროს ეკონ. აღმავლობის შედეგად ფეოდ. ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით და ამის ნიადაგზე სეპარატული ტენდენციების განვითარებით. ეს პროცესი, რ-ის საწყისები ჯერ კიდევ VI ს-იდან შეიმჩნევა, VII—VIII სს-ში მიმდინარეობდა არაბთა წინააღმდეგ ქართველის საერისმთავროს ბრძოლის პარალელურად და მასთან კავშირში. კერძოდ, ქართლის (პოლიტ. მნიშვნელობით) ერთ-ერთ აღმ. პროვინციაში, კახეთში, ამ ბრძოლას თაოსნობდა წანართა ტომი, რ-იც ამ დროისათვის კახეთში პოლიტ. ჰეგემონის როლს თამაშობდა. სწორედ წანარ წარჩინებულთა ირგვლივ გაერთიანდნენ კახეთის სხვადასხვა თემები და შესაძლებელია ამ წარჩინებულთა წარმომადგენელი იყო კახეთის მთავარი *გრიგოლიც*. კ. ს-ს ჩამოყალიბება ტერიტ. ექსპანსიით აღინიშნა, როგორც დას-ით, ქართლისაკენ (სადაც საზღვარი IX ს. დასაწყისში აშოტ კურაპალატთან ბრძოლის შედეგად მდ. ქსანზე დაიდო), ისე აღმ-ით, ჰერეთისაკენ (რ-თანაც მიჯნა დაახლ. ყვარელ-გურჯაანის ხაზზე გადიოდა, ალაზნის ველზე და გარეჯის უდაბნოს აღმ-ით, ივრის ზეგანზე). ჩრდ-ით კ. ს-ს კავკასიონის ქედი ესაზღვრებოდა (ზოგან საზღვარი ქედს გადაღმაც გადიოდა), ისე რომ ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და ქისტეთის სამხრ. მთიანეთი (ძურძუკ-ღლიღევები) კ. ს-ს ფარგლებში შევიდა. კ. ს. სამხრ-ითაც გაფართოვდა და ძვ. ქართ. პროვინცია *გარდაბანი* X ს. შუა წლებამდე მის შემადგენლობაში ითვლებოდა. VIII—IX სს-ში კ. ს-ს ცენტრი უჯარმა იყო, X ს-ში — ბოჭორმა, შემდეგ თიანეთი. კახეთის მთავარი *ქორეპისკოპოსის* ტიტულს ატარებდა. ვარაუდობენ, რომ IX ს. დასაწყისში სამთავროში გადატრიალება მოხდა და ტახტს გარდაბნელთა დინასტიის წარმომადგენლები დაეუფლნენ. საუკუნის ბოლოს გარდაბნელები არევმანელებმა შეცვალეს. შინაგან მმართველობას მთავრები ერისთავების საშუალებით ახორციელებდნენ. ვახუშტი ასახელებს კახეთის 3 დიდმოხელეს: რუსთავის, კვეტერის და პანკისის ერისთავებს. კახელ მთავართა საგარეო პოლიტიკა პირველ რიგში მიმართული იყო არაბ. ცენტრ. ხელისუფლების ადგილ. წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. 840—841 წლებში სოფ. გავაზთან კახელებმა დაამარცხეს არაბი სარდლის ხალიდ იაზიდის ძის ლაშქარი. ხალიფის წარმომადგენლებთან ბრძოლაში კახელები უკავშირდებოდნენ თბილ. ამირებს, რ-ებიც აგრეთვე ებრძოდნენ ცენტრ. ხელისუფლებას. მაგ., ბუღა თურქის დამარბეველი ლაშქრობისას (853) კახელები თბილ. ამირას მომხრედ გამოვიდნენ, 914 ებრძოდნენ არაბ სარდალს აბუ ლ-კასიმს (იხ. *კვირიკე I*). გარდა ამისა, კახეთის მთავრები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში — იბრძოდნენ ჰერეთის სამეფოს შემოერთებისათვის „აფხაზთა“ მეფესთან ერთად, ასევე შიდა ქართლის დაუფლებისათვის. XI ს. დასაწყისში კახეთის ქორეპისკოპოსებმმა მოახერხეს ჰერეთის სამეფოს შემოერთება (იხ. აგრეთვე *კვირიკე III*). ასე წარმოიქმნა *კახეთის სამეფო*.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ა დ რ ი ძ ე შ., მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, „მაცნე“, 1964, № 5; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1954, ნაკვ. 31; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.

დ. მუსხელიშვილი.

კახეთის ქედი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. ტოტი, მდ-ების ალაზნისა და ივრის წყალგამყოფი. 40 *კმ* სიგრძის მერიდიანული ეროზიული ქედი. შახვეტილის მთამდე კ. ქ. აგებულია მეზოზოური ასაკის ტერიგენული წყებებით. ფართო გაგებით კ. ქ. მოიცავს გომბორის ქედსაც და მისი მთლიანი სიგრძე 145 *კმ* აღწევს. კ. ქ. გამოეყოფა ქართლის ქედს 3279 *მ* სიმაღლის უსახელო მწვერვალთან, მიემართება ზოგადად სამხრ.-სამხრ.-დას-კენ და წარმოადგენს მდ-ების ფშავის არაგვისა და ალაზნის, შემდეგ ივრისა და ალაზნის და ბოლოს ივრისა და ილტოს წყალგამყოფს. ქედის თხემზე აღმართულია მთები ლაგაისმთა, მოკასტეხე, გარეჯა, მუხათი, დამასტი, დიდიველეები. კ. ქ-ის უღელტეხილზე გადადის თიანეთ-ახმეტის გზა. ჩრდ. ქედის ნახევრის კალთების ქვემო ნაწილი შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, ზემო — სუბალპ. და ალპ. ბალახეულით, სამხრ. ნახევარი ფართოფოთლოვანი ტყით.

ლ. მარუაშვილი.

კახელები, იხ. *ქართველები*.

კახექსია (ბერძნ. kachexia<kakos—ცუდი და hexis — მდგომარეობა), ორგანიზმის უკიდურესი დაუძლურება. ახასიათებს მკვეთრი გახდომა, კანის სიმშრალე, თმის ცვენა, კუნთებისა და შინაგანი ორგანოების ატროფია და სხვ. შეიძლება თან ახლდეს შეშუპება, სისხლჩაქცევები, ზოგჯერ ფსიქიკის დარღვევაც. კ-ს იწვევს ხანგრძლივი შიმშილი, ნივთიერებათა ცვლის მძიმე მოშლა, ტყვიით, ვერცხლის წყლით ან ფთორით მოწამვლა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მძიმე დაზიანება და სხვ. კ. შეიძლება განვითარდეს აგრეთვე ინფექციური დაავადების, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაზიანების, ავთვისებიანი სიმსივნის (განსაკუთრებით საყლაპავი მილისა და კუჭის) და სხვ. დროს.

კახთუბანი, პუნქტი ისტორიულ *ჰერეთში*. ამჟამად გურჯაანის რ-ნული ცენტრის — გურჯაანის ერთ-ერთი უბანი. ტოპონიმ კ-ის არსებობა კიდევ ერთი დადასტურებაა ჰერეთის ტერიტორიაზე კახების ტომის ინფილტრაციისა. ამ უბანში შენორჩენილია ორგუმბათიანი ეკლესია (VIII ს.).

დ. მუსხელიშვილი.

კახი, ქალაქი (1967-მდე დაბა) აზერბ. სსრ-ში. კახის რ-ნის ცენტრი. გაშენებულია კავკასიონის სამხრ. კალთის ძირში, მდ. ქურმუხჩაის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ხის დასამუშ. და სამრეწვ. კომბინატები, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, ხილსაკონსერვო და ყველკარაქის ქ-ნები. ქალაქის მიდამოებში განვითარებულია მეთამბაქოეობა, მებაღეობა და მებაღეობა. ისტორიულად კ. საქართველოს აღმ. განაპირა პროვინციის *ჰერეთის* მნიშვნელოვანი პუნქტი იყო (იხ. აგრეთვე სტ. *კაკი*).

კახიანი ზაალ ნიკოლოზის ძე (დ. 5. VII. 1927, თბილისი), ქართველი საბჭ. ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1967), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). სკკპ წევრი 1956-იდან. 1951 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1962—72 იყო საქ. სსრ ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 1968-იდან თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის გადაუდებელი ქირურგ. კათედრის გამგეა. კ. იკვლევს მუცლის ღრუს ქირურგ. და ონკოლოგიის, პორტალური ჰიპერტენზიის და სხვ. საკითხებს. პლასტ. ანატომიასა და ექსპერესიოლოგიაში სახელმძღვანელოთა ციკლისათვის 1980 მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია. 1976-იდან საქ. სამეცნ.-სამედ. საზ-ბათა პრეზიდიუმის თავ-რე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: გადაუდებელი ქირურგიული ურო ლ ო გ ია, თბ., 1973 (თანაავტ.: ო. ჩხაიძე, კ. გოგელიანი); გართულებული თიაქარი, თბ., 1975 (თანაავტ.: ა. გოგიბერიძე).

ი. კახიანი.

მ. კახიანი.

ნ. კახიანი.

კახიანი იმედა ვლადიმერის ძე (დ. 12. V. 1937, სოფ. ეწერი, სამტრედიის რ-ნი), ქართველი საბჭოთა მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1979). სკკპ წევრი 1967-იდან. დაამთავრა საქართვ. თეატრ. ინ-ტი (1959). კინოში კ-ის პირველი როლია გოგიტა („საბუდარელი ჭაბუკი“ 1957). სხვა როლები: ზურაბი („განაჩენი“, 1959), ზაზა („დედის ხელი“, 1959), ვახტანგი („პაპა გიგია“, 1960), გელა („თეთრი ქარავანი“, 1964), ტატიშვილი („აფეთქებული ჯოჯოხეთი“, 1967), ბარათაშვილი („24—25 არ ბრუნდება“, 1968), ვარლამი („ჯვარცმული კუნძული“, 1968), ანდრო („გაქცევა განთიადისას“, 1975), პლატონი („სამანიშვილის დედინაცვალი“, 1977), გოგი („დათა თუთაშხია“, 1978), ერმილე („სიცოცხლე ერმილეს!“, 1978), ანდრო („მიზანი“. 1979) და სხვ. კ. ასრულებს ძირითადად სახასიათო როლებს. მისი საშემსრულებლო მანერა გამოირჩევა აქტიორული ოსტატობითა და შინაგანი სიღრმით.

მ. აბულაძე.

კახიანი მიხეილ ივანეს ძე (1896, ბათუმი,—1937), საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1917-იდან. დაამთავრა მოსკ. კომერც. ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 15 წლისა ჩაება რევ. მოძრაობაში. 1917 ოქტ. შეიარაღებული აჯანყების პერიოდში ზამოსკვორეჩიეს რ-ნის რევკომის მდივანი იყო. 1917 საქართველოში დაბრუნდა, სადაც აირჩიეს პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრად. 1918 თებიდან კვლავ მოსკოვში იყო: აირჩიეს რკპ(ბ) ზამოსკვორეჩიეს რაიკომის პრეზიდიუმისა და რაისაბჭოს აღმასკომის, რკპ(ბ) მოსკ. კომიტეტისა და მოსკ. საბჭოს აღმასკომის წევრად; თანამშრომლობდა გაზ. „პრავდაში“. 1920-იდან კავკასიაში განაგრძო პარტ. მუშაობა, 1922 მაისიდან საქ. კპ-ის თბილ. კომიტეტის მდივანი იყო, იმავე წლის ბოლოდან — საქ. კპ ცკ-ის მდივანი. 1930 მუშაობდა საკ. კპ(ბ) ცკ-ის შუა აზიის ბიუროს მეორე მდივნად. შემდგომში იყო საკ. კპ (ბ) ცკ-ის საკონტროლო კომისიის რწმუნებული ჩრდ. კავკასიაში და ბოლოს — გაზ. „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. პარტიის XVI ყრილობაზე. აირჩიეს ცკ-ის წევრობის კანდიდატად, XVII-ზე ცკ-ის საკონტროლო კომისიის წევრად.

კ. ივანიძე.

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე [11 (23). VII. 1884, სოფ. როკითი, ახლანდ. მაიაკოვსკის რ-ნი,—15. II. 1928, თბილისი], ქართველი საბჭ. ქირურგი და მორფოლოგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1917). 1910 დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტი. 1910—14 მუშაობდა ამავე ფაკ-ტის ანატ. კათედრაზე და 4-ჯერ იყო მივლინებული კაიროში ბალზამირების ეგვ. წესის შესასწავლად. 1917 აირჩიეს ეკატერინოსლავის (ახლანდ. დნეპროპეტროვსკი) უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ანატ. კათედრის გამგედ, 1919 თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ტოპოგრაფიული ანატ. და ოპერაციული ქირურგ. კათედრის გამგედ, ხოლო 1921-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის (1930-იდან თბილ. სამედ ინ-ტის) ქირურგ. პროპედევტიკის კათედრას.

კ-მა დანერგა საქართველოში გასტროენტეროანასტომოზის, კუჭის რეზექციის, ტვინის დანამატის ამოკვეთის, თირკმლისა და თირკმელზედა ჯირკვლის რეზექციის, ტუბერკულოზით დაზიანებული თირკმლის

ჯ. კახიძე.

პ. კახოვსკი.

კახური თეთრი.

კახური ღორი.

სისხლის ძარღვების გადაკვანძვის, თავის ქალას ტრეპანაციის, გულის ჭრილობის გაკერვისა და სხვ. ოპერაციები. გ. *ბუხაძესა* და ა. *მაჭავარიანთან* ერთად ჯ-მა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მეცნ. ქირურგ. განვითარებას.

თხზ.: ქირურგიული ანატომიის მოკლე სახელმძღვანელო..., ნაწ. 1, ტფ., 1925; ქირურგიული ტუბერკულოზის იოდ-იოდოფორმის ემულსიით მკურნალობა, ტფ., 1926; Повторительный курс нормальной анатомии человека, Екатеринослав, 1918; Радикальная операция по поводу рака молочной железы под местным обезболиванием, Тфл., 1927.

ლიტ.: კ ა ხ ი ა ნ ი ვ., გამოჩენილი ქართველი ქირურგი ნიკოლოზ კახიანი, თბ., 1951; П и п и я И. К., Жизнь и деятельность Николая Сауловича Кахиани, კრ.: Актуальные вопросы хирургии, Тб., 1969.

კახისის ტბა, ტბა თრიალეთის ქედის დას. კალთაზე, მდ-ების ჭობისხევისა და დვირულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფ შტოქედზე, ბორჯომის რ-ნში. ზ. დ. 1752 *მ*. ფართ. 0,05 *კმ*², უდიდესი სიღრმე 10 *მ*. ტბის ქვაბული წარმოქმნილია სუფოზიის შედეგად. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალი მტკნარია, გადის მიწისქვეშა სადინარით. ტბის მიდამოებში ნაძვნარია.

ი. აფხაზავა.

კახიფარი, სოფელი გურჯაანის რ-ნში (შრომის სოფსაბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. აკურისხევის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 590 *მ*, გურჯაანიდან 22 *კმ*, შრომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. შრომის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. შრომაში. ბ-კა.

კახიძე მედეა ილიას ასული (დ. 30. XII. 1930, სოფ. ახალსოფელი, ყვარლის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1959-იდან. დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1954) და სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტ. კურსები (1960). 1977-იდან საქართვ. მწერალთა კავშირის ლიტ. პროპაგანდის ბიუროს თავ-რეა. ლექსთა პირველი კრებ. „სიყვარულის ასაკი" 1950 გამოაქვეყნა. ჯ-ის ძირითადი პოეტური კრებულებია: „განა წყარო ვარ" (1959), „სადა ხარ, ჩემო მებადეო" (1962), „სიყვარულს უშენებია" (1963), „ინდიმინდი" (1964), „წინათგრძნობა" (1972), „ლექსები" (1974) და სხვ. მასვე ეკუთვნის საბავშვო ლექსთა წიგნები: „ჯიუტი ჩიტები" (1956), „მოდი, ეკა, შევრიგდეთ" (1970), „ინდი-ფრინდი" (1976) და სხვ. ჯ-ის ლექსები თარგმნილია რუს., აზერბ., სომხ., ტაჯ., რუმ., სერბ.-ხორვ., ჩეხ., ბულგ. და სხვ. ენებზე.

კახიძე ჯანსუღ ივანეს ძე (დ. 10. I. 1936, სოფ. ობჩა, მაიაკოვსკის რ-ნი), ქართველი საბჭ. დირიჟორი, ლოტბარი, მომღერალი, კომპოზიტორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1978). სკკპ წევრი 1963-იდან. 1958 დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (საგუნდო-სადირიჟორო განხრით). შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. 1955—62 იყო საქართვ. სახელმწ. საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. 1957 ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა" (აბალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ოქროს მედალი). 1962—71 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი (1965—68 მთავარი დირიჟორი). 1971—73 მიიწვიეს ქ. ლოძში (პოლ. სრ) დიდი თეატრის დირიჟორად. აქ 1972 მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი". 1973-იდან საქართვ. სახელმწ. დამს. სიმფ. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია. ჯ-ს დაწერილი აქვს მუსიკა კინოფილმებისათვის („შერეკილები", გ. ყანჩელთან ერთად, „პირველი მერცხალი", „დათა თუთაშხია", ბ. კვირნაძესთან ერთად). ჯ-ის ხელმძღვანელობით თბილისში პირველად შესრულდა მთელი რიგი სიმფ. ნაწარმოებები (სტრავინსკის „სალმრთო გაზაფხული", შოსტაკოვიჩის მე-4 სიმფონია, ჰაიდნის 86-ე სიმფონია, შჩედრინის „ანცი შაირები", ყანჩელის ექვსიანი სიმფონია, ნასიძის მე-4, მე-5, მე-6, მე-7 სიმფონიები, მაჭავარიანის მე-2 სიმფონია, გაბიჩვაძის „როსტროკური სიმფონია", თორაძის მე-2 სიმფონია და სხვ.). რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1977). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

კახნიაშვილი ალექსანდრე ილარიონის ძე (დ. 14. VII. 1898, სოფ. დილიკოური, ზესტაფონის რ-ნი), ქართველი საბჭ. ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1963). 1927 დაამთავრა თსუ. 1929-იდან მუშაობს იქვე ორგ. ქიმ. კათედრაზე. ჯ-ის შრომები ეძღვნება ორგ. ქიმ. სხვადასხვა საკითხს. მიიღო რიგი ნაერთებისა, რ-თათვისაც დამახასიათებელია ბიოლ. აქტიურობა.

კახოვკა, ქალაქი (1938-იდან) უკრ. სსრ ხერსონის ოლქში, კახოვკის წყალსაცავის მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგ. კახოვკიდან 10 *კმ*. დიდი სამამულო ომის წლებში (1941 სექტ-იდან 1943 დეკ-მდე) ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. ომის შემდეგ ქალაქი მთლიანად აღადგინეს. დიდი ქარხნებია: „ტრაკტორდეტალი", რკინაბეტონის ნაკეთობათა, ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის, სარემონტო და სხვ. ქალაქის ისტორიის მუზეუმი.

კახოვკის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. დნეპრზე, უკრ. სსრ ხერსონის, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს ოლქებში. შეიქმნა 1955—58 კახოვკის ჰიდროკვანძის კაშხლით. ფართ. 2155 *კმ*², მოცულობა 18,2 *კმ*³, სიგრძე 230 *კმ*, მაქს. სიგანე 25 *კმ*-მდე, საშ. სიღრმე 8,4 *მ*, მაქს.—36 *მ*. აწესრიგებს სეზონურ და, ნაწილობრივ, მრავალწლიურ ჩამონადენს. ჯ. წ-იდან იწყება ჩრდილოეთ ყირიმის არხი. თევზჭერა. ჯ. წ-ის ნაპირებზეა ქ-ები: ზაპოროჟიე, ნიკოპოლი, ნოვაია-კახოვკა, კახოვკა, ბერისლავი, კამენკა-დნეპროვსკაია.

კახოვსკი პეტრე გრიგოლის ძე [1797—13 (25). VII. 1826], რევოლუციონერ-დეკაბრისტი, გადამდგარი პორუჩიკი, 1825 წ. 14 დეკემბრის აჯანყების ერთ-ერთი აქტმონაწილე. სმოლენსკის გუბ. მემამულის ოჯახიდან იყო. 1825 დამდეგს კ. რილეევმა დეკაბრისტების ჩრდილოეთის საზ-ბის წევრად მიიღო. ემზრობოდა რუსეთში რესპ. წყობილების დამყარებას, მოითხოვდა მეფის მთელი ოჯახის ფიზ. განადგურებას. აჯანყების დღეს სენატის მოედანზე სასიკვდილოდ დაჭრა პეტერბ. გენ.-გუბერნატორი მ. მილორადოვიჩი და ლაიბ-გრენადერთა პოლკის მეთაური პოლკ. ნ. სტიურლერი. სიკვდილით დასაჯეს პეტრე-პავლეს ციხეში.

კახოიანები, სოფელი თიანეთის რ-ნში (ტუშურების სოფსაბჭო), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქუსნოს მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1130 *მ*, თიანეთიდან 4 *კმ*. ტუშურების მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ტუშურებში (0,5 *კმ*).

კახოსი, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართველი ხალხის ერთ-ერთი ეთნარქი. იხ. *ქართველთა ეთნარქები.*

კახურა, სოფელი ლენტეხის რ-ნში (ლენტეხის სადაბო საბჭო), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, ლენტეხიდან 4 *კმ*. ლენტეხის კოლ-ბა (მეცხოველეობა, მემინდვრეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. მელურაში (2 *კმ*). მინერ. წყაროები. ჯ-ში დგას შუა საუკ. კოშკი.

კახური თეთრი, ქართული საშემოდგომო ატმის ჯიში. გავრცელებულია კახეთში. ხე სწრაფად იზრდება, მომრგვალო ვარჯი აქვს. მე-3 წლიდან მსხმოიარობს. ნაყოფი მწიფდება სექტ. ბოლოს, მსხვილი და მრგვალია, ღარი ოდნავ ემჩნევა, სახრავია. აქვს მოთეთრო, მკვრივი და თხელი შებუსული კანი, თეთრი, მკვრივი, ტკბილი, ოდნავ მწკლარტე, წვნიანი, არომატული რბილობი. კარგი საკომპოტე და სასუფრე ჯიშია.

მ. ეარძელაშვილი.

კახური ღორი, უძველესი ენდემური ჯიში. ევრ. გარეული ღორის მოშინაურების შემდეგ ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა ცალკე ჯიშად. განეკუთვნება მომთაბარე ტიპს. ფერად შავია, ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მოწითალო. აქვს უხეში კონსტიტუცია, გვიან მწიფდება, გარემო პირობებს ადვილად ეგუება, ნაკლებმომთხოვნია. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალს და ნაკლებნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს. კერატის ცოცხალი მასაა 110—120 *კგ* (უდიდესია 160 *კგ*), ნეზვისა—95—100 *კგ* (უდიდესია 130 *კგ*-მდე). ნაყოფიერება 7—8 გოჭი, მერძეულობა 30—40 *კგ*. გასუქების პერიოდში დღეღამური წონამატია 200—300 *გ*. 1 *კგ* წონის მოსამატებლად სჭირდება 8—8,5 საკვები ერთეული. აქვს მაღალხარისხოვანი მჭლე ხორცი, რ-ის წმინდა გამოსავალია 63—64%, ქონისა 20—21%. ჯ. ღ. გავრცელებულია თიანეთის, ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვ. რ-ნებში, სადაც 1974 მისი რაოდენობა 2 ათ. სულს აღწევდა. *ნ. მელითაური.*

კაპორი, სადესერტო ღვინო, ამზადებენ წითელი ყურძნის (კაბერნე, საფერავი და სხვ.) ჯიშებისაგან. სახელწოდება მიიღო საფრ. ქალაქ კაპორიდან. ჯ-ის დასამზადებლად დაჭყლეტილი ყურძნის მასას ათბობენ 45—50°C და უფრო მაღალ ტემპერაზე, ან მთელ მტევნებს 80—90°C-მდე ორთქლით, მშრალი ჰაერით, ან 2—3 წუთით ჩაყურსავენ მდულარე წყალში თუ ბადაგში. სსრკ-ში საუკეთესო ჯ-ს (16 მოცულობითი % სპირტი და 16—20% შაქარი) ამზადებენ ყირიმში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში. ჯ-ს საქართველოშიც (ბოლნისი) ამზადებდნენ.

კბილა თვალი, კ ბ ი ლ ა ნ ა, კბილანური გადაცემის ძირითადი ელემენტი, რ-საც ცილინდრულ ან კონუსურ ზედაპირზე აქვს კბილები, რ-ებიც მოედებიან სხვა კბილანის კბილებს. ცილინდრულ ჯ. თ-ს კბილები შეიძლება ჰქონდეს გარე ან შიგა ზედაპირზე. კბილები შეიძლება იყოს სწორი, სპირალური, შევრონული (კუთხური) ან მრუდხაზოვანი. ყველაზე გავრცელებულია კბილების ევოლვენტური პროფილი, უფრო იშვიათად — ციკლოიდური, კასრისებრი და სხვ. ჯ. თ-ის კონსტრუქცია დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე, ზომასა და ნამზადის მიღების ხერხებზე.

კ. ნუცუბიძე.

კბილანასებრნი (Anarhichadidae), ზღვის თევზების ოჯახი *ქორჭილასნაირთა* რიგისა. აქვთ წვრილი ქერცლით დაფარული წაგრძელებული სხეული, მაგარი საკვების დასაქუცმაცებლად მომარჯვებული კბილები. ბინადრობენ ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ჩრდ. ნაწილში. ჯ. აერთიანებენ 2 გვარს: Anarhichthys-ს, რ-იც შეიცავს ერთ სახეობას — გველთევზასებრ კბილანას (A. ocellatus), და Anarhychas-ს, რ-იც აერთიანებს 4 სახეობას: შორეულაღმოსავლურ კბილანას (A. orientalis), ლურჯ კბილანას (A. minor), ხალებიან ან ჭრელ კბილანას (A. lupus)



კბილანასებრნი: 1—ხალებიანი კბილანა; 2—ზოლიანი კბილანა.

და ჩვეულებრივ ანუ ზოლებიან კბილანას (A. lupus). ჰ. რეწვის ობიექტებია. ხორცს საკვებად იყენებენ, ტყავისაგან ამზადებენ ხელჩანთებსა და სხვა ნაკეთობებს.

კბილანური გადაცემის მექანიზმი, ერთმანეთთან მოდებაში შემავალი კბილა თვლებისაგან შემდგარი მექანიზმი, რ-იც გადასცემს ბრუნვითს მოძრაობას. კ. გ. მ. არის ცილინდრული, კონუსური (იშვიათად ბრტყელი კონუსური), კბილა-ხრახნული (ჭია, ჰიპოიდური და ხრახნული) და სხვ.



კბილანური გადაცემის მექანიზმი. ნახ. 1. ცილინდრული კბილათვლებიანი კბილანური გადაცემის მექანიზმი: ა—სწორკბილებიანი; ბ—ირიბკბილებიანი; გ—შევრონული; დ—კონუსური; ე—წრიულკბილიანი; ვ—შიგამოდების.

კ. გ. მ-ის კერძო შემთხვევაა კბილანური ლარტყა გადაცემის მექანიზმი, რ-იც ბრუნვითს მოძრაობას გარდაქმნის გადატანით მოძრაობად და პირიქით. კ. გ. მ. შეიძლება იყოს გარე მოდების (როცა კბილა თვლებს კბილები გარე ზედაპირზე აქვს) და შიგა მოდების (როცა ერთ კბილა თვალზე კბილები შიგა ზედაპირზეა მოჭრილი). კ. გ. მ. არის სწორკბილიანი და ირიბკბილიანი (ნახ. 1.). პირველს იყენებენ მაშინ, როცა საჭიროა მცირე ან საშ. სიჩქარით (20 *მ/წმ*-მდე) მუშაობა, მეორეს კი —საპასუხისმგებლო გადაცემებში, როცა მუშაობა მიმდინარეობს საშ. ან მაღალი სიჩქარით; შევრონულკბილიანი მძიმე მანქანებში გადასცემს დიდ მომენტებსა და სიმძლავრეებს; წრიულკბილებიანს ხმარობენ საპასუხისმგებლო კონუსური გადაცემებისათვის. კ. გ. მ-ის გადაცემის რიცხვი *i* მუდმივი სიდიდეა. $i = \frac{\omega_1}{\omega_2} = \frac{z_2}{z_1}$, სადაც ω_1 და z_1 არის წამყვანი კბილა თვლების, ხოლო ω_2 და z_2 ამყოლი კბილა თვლების კუთხური სიჩქარე და კბილთა რიცხვი. იშვიათად იყენებენ ისეთ კ. გ. მ-ს, რ-ის კბილა თვლები არაწრიული ცილინდრულია. ამ შემთხვევაში წამყვანი კბილა თვლის სიჩქარე მუდმივია, ხოლო ამყოლისა მდოვრედ იცვლება. კ. გ. მ-ს იყენებენ აგრეთვე სიმძლავრისა და წრიული ძალვების გადასაცემად. კ. გ. მ-ის ღირსებაა მცირე გაბარიტები, მაღალი მქკ, დიდი ხანგამძლეობა და საიმედოობა, მცირე დატვირთვა ლილვებზე. კ. გ. მ-ს აქვს ნაკლიც: საჭიროებს დიდ სიზუსტეს დამზადებისას და მუშაობის დროს ხმაურობს. ამასთან, **საერთო ნორმალი** (მოდების წირი) კბილა თვლების პროფილებთან შეხების ნებისმიერ წერტილში **მოდების პოლუსზე** უნდა გადიოდეს (ნახ. 2). ცილინდრული გადაცემის მექანიზმისათვის მოდების პოლუსად ითვლება კბილების შეხების წერტილი საწყის წრეხაზზე, რ-იც დაახლ. კბილების შუაში გადის (ამ ხაზზე კბილა თვლები სრიალის გარეშე ერთმანეთზე მოგორდებიან). კბილის პროფილი შეიძლება იყოს ევოლვენტური, ცილინდრული ან სხვა მრუდით შემოწერილი. კარგი საექსპლუატაციო და ტექნოლ. თვისებების გამო უფრო გავრცელებულია ევოლვენტური მოდების კ. გ. მ. მისი უპირატესობანია: კბილთა სხვადასხვა რიცხვის მქონე კბილა თვლების ერთი იარაღით დამუშავების შესაძლებლობა; შეიძლება ერთმანეთთან მოდებაში შევიდეს ერთი და იმავე მოდულის კბილა თვლები კბილთა რიცხვისაგან დამოუკიდებლად; ცენტრთაშორის მანძილის ცვლილებისადმი მცირედ მგრძნობიარეა; კბილების კონტაქტი მოდების პოლუსზე ძირითადი წრეხაზების მხებად გამავალ მოდების წირზე ხდება. ძირითადი წრეხაზების დიამეტრები d_{01} და d_{02} შემდეგი ტოლობებიდან განსაზღვრება: $d_{01} = d_1 \cos\alpha$ და $d_{02} = d_2 \cos\alpha$, სადაც α მოდების კუთხეა. სწორკბილიანი ცილინდრული კბილა თვლებისათვის $\alpha = 20^\circ$. კბილანური მოდების ძირითადი პა-



ნახ. 3. კონუსური მოდების წარმოქმნა.

რამეტრია მოდული *m*, რ-იც წარმოადგენს კბილა თვლის დამყოფი წრეხაზის დიამეტრის *d*-ს ფარდობას კბილთა რიცხვთან. არაკორექტირებული ევოლვენტური მოდებისათვის საწყისი და დამყოფი წრეხაზები ერთმანეთს ემთხვევა: $d_1 = d_{\partial 1} = mz_1$ და $d_2 = d_{\partial 2} = mz_2$. ირიბკბილა თვლებში საწყის კონტურად მიღებულია კბილის ხაზის ნორმალური კვეთი. კონუსურ კბილა თვლებში (ნახ. 3) საწყისი ცილინდრი შეცვლილია საწყისი კონუსებით (1 და 2). კბილების პროფილები დაახლ. კბილების გვერდითი ზედაპირების დამატებითს კონუსებთან (3 და 4) გადაკვეთის ხაზებია. დამატებითი კონუსები საწყისი კონუსების თანაღერძულია, მაგრამ მათი მსახველები საწყისი კონუსების მსახველების მართობულია. ევოლვენტური მოდების გაუმჯობესება შეიძლება კორექტირებით (კბილის შესწორებით, ე. ი. მისი სიმაღლის ან კუთხის შემცირებით, იშვიათად — გაზრდით). საათის მექანიზმებსა და ზოგჯერ სხვა ხელსაწყოებში იყენებენ ციკლოიდური მოდების მექანიზმსაც. მძიმე მანქანებში ევოლვენტური მოდების მექანიზმთან ერთად იყენებენ მ. ნოვიკოვის წრიულ-ხრახნული მოდების მექანიზმს (ნახ. 4). ამ კ. გ. მ-ში კბილების პროფილი შემოწერილია წრის რკალებით (კბილები ირიბია). ერთი კბილა თვლის ამოზნექილი კბილი კონტაქტში შედის მეორის ჩაზნექილ კბილთან; საწყისი შეხება წერტილში ხდება. შეხების წერტილები გადაადგილდება არა კბილების სიმაღლეზე, არამედ ღერძული მიმართულებით; მოდების ხაზი თვლების ღერძების პარალელურია. ასეთ კ. გ. მ-ს შეუძლია დიდი დატვირთვების ატანა, ზეთის კარგად დაჭერა, ამასთან, იგი მცირე კბილთა რიცხვის მქონე კბილა თვლების გამოყენების საშუალებას იძლევა, რის გამოც შესაძლებელია დიდი გადაცემის ფარდობის მიღება და სხვ.

კ. გ. მ-თვის გათვალისწინებულია სიზუსტის 12 ხარისხი, რ-ებსაც კ. გ. მ-ის დანიშნულებისა და მუშაობის პირობების მიხედვით შეარჩევენ. კ. გ. მ-ს ამზადებენ უმეტესად თერმულად ან ქიმ.-თერმულად დამუშავებული საკონსტრუქციო ნახშირბადიანი ლეგირებული ფოლადისაგან. იშვიათად თუჯისა და პლასტმასისაგან. კ. გ. მ-ს სიმტკიცეზე ანგარიშობენ საშიშ კვეთში ღუნვითი დაძაბულობისა და კონტაქტური დაძაბულობის მიხედვით. კ. გ. მ-ის გამოყენება შეიძლება, როგორც ცალკე, ისე სხვა ელემენტებთან ერთად რედუქტორებში, ამძრავებში (მუშა ლილვის სიჩქარის სარეგულირებლად), პლანეტარულ და დიფერენციალურ მექანიზმებში და სხვ.

ლიტ.: Решетов Д. Н., Детали машин, 3 изд., М., 1975. *კ. ნუცუბიძე.*

კბილა შეერთება, **შლიცური შეერთება,** ხორციელდება კბილისებრი შვერილებისა და ღრმულების, ე. წ. შლიცების მეშვეობით, რ-ებითაც ლილვი უერთდება დეტალის ნახვრეტს. კბილების პროფილის მიხედვით კ. შ. არის სწორკბილიანი (ყველაზე გავრცელებული), ევოლვენტური და სამკუთხა წვრილკბილიანი; (ნახ. 1); სწორკბილიანი კ. შ-თვის დაცენტრების სამი ხერხი არსებობს: დაცენტრება შიგა დიამეტრის *d*-ის, გარე დიამეტრის *D*-ის და გვერდითი ზედაპირების *b*-ის მიხედვით (ნახ. 2). მანქანათმშენებლობაში უმეტესად იყენებენ *D*-ის მიხედვით დაცენტრებას. თუ შეერთება ნაკლებ ზუსტია, აგრეთვე დიდ და ცვალებად დატვირთვას განიცდის, იყენებენ დაცენტრებას *b*-ის მიხედვით. მუშაობის პირობების მიხედვით კ. შ. არის მოძრავი (მოსრიალე) და უძრავი. *კ. ნუცუბიძე.*



კბილანური გადაცემის მექანიზმი. ნახ. 2 ევოლვენტური პროფილის წარმოქმნა: NN — საერთო ნორმალი; p—მოდების პოლუსი; α—მოდების კუთხე; ω_1 და ω_2—კუთხური სიჩქარეები; 1, 2—კბილა თვლები.



კბილანური გადაცემის მექანიზმი. ნახ. 4. ნოვიკოვის გადაცემა.



ნახ. 1. კბილა შეერთების ძირითადი ტიპები: ა—სწორკბილიანი; ბ—ევოლვენტური; გ—სამკუთხა.



ნახ. 2. სწორკბილიანი კბილაშეერთების დაცენტრება; ა—გარე დიამეტრის მიხედვით; ბ—შიგა დიამეტრის მიხედვით; გ—გვერდითი ზედაპირების მიხედვით.

კბილდასამუშავებელი ჩარხი. ნახ. 1. კბილსაფრეზი ჩარხი.



კბილდასამუშავებელი ჩარხი. ნახ. 2. ვერტიკალური კბილსატეხი ჩარხის მუშაობის პრინციპული სქემა.



კბილდასამუშავებელი ჩარხი. ნახ. 3. კბილსარანდი ჩარხი. ა—საერთო ხედი; ბ—კონუსურ კბილა თვალზე კბილების მოჭრის სქემა: 1—დასამუშავებელი კბილა თვალი; 2—წარმომქმნელი კბილა თვალი; 3 — წარმომქმნელი კბილა თვლის კბილსარანდი საჭრისები.


S
V_u
V_u
V_2
V_u
V_u
V_2
ა
ბ
V_2
V_u
V_2
V_u
V_2
V_u

ბით გამოჩენა. ადამიანს კბილები ორჯერ ამოსდის — პირველად სარძევე, მეორედ კი მუდმივი (იხ. სტ. *კბილები*). ზოგჯერ (მაგ., *რაქიტის* დროს) შეიძლება დაირღვეს კ. ა-ის ვადები და რიგი. განსაკუთრებით ხშირია სიბრძნის კბილის ამოჭრის პათოლოგია. XX ს-თვის დამახასიათებელია კ. ა-ის დაჩქარება, რასაც *აქცელერაციას* უკავშირებენ.

კბილთეთრა (Crocidura), ძუძუმწოვრების გვარი *ბიგასებრთა* ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძეა 4—10 *სმ*. გავრცელებული არიან უმთავრესად აფრიკაში, აგრეთვე ევროპასა და აზიაში; სსრკ-ში — ველის ზონაში. საქართველოში კ-ს 5 სახეობაა, რ-ებიც ბინადრობენ ტყეებში, ბუჩქნარებში, ბაღებში, მთის ხევებსა და ხრამებში, ზოგჯერ ადამიანის სამოსახლოს მახლობლად. გავრცელებული არიან ზ. დ. 2200 *მ*-მდე. იკვებებიან მწერებით, მათი მატლებით, მოლუსკებით, რითაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ.

კბილიანი ვეშაპები (Odontoceti), ძუძუმწოვრების ქვერიგი ვეშაპების რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 1,2—20 *მ* აღწევს. აქვს 1—240-მდე კბილი, ერთი ნესტო, რ-იც თხემზე იხსნება. მათი ორიენტაციის ძირითადი ხერხია ექოლოკაცია. გავრცელებული არიან ყველა ოკეანესა და ზღვაში, ზოგი დიდ მდ-ებშიც ბინადრობს. ქვერიგში 4 ოჯახია: კაშალოტისებრნი, მდინარის დელფინისებრნი, დინგნისკარტა ვეშაპები და დელფინისებრნი. იკვებებიან თევზით, თავფეხიანი მოლუსკებით, კიბოსნაირებით. იყენებენ მათ ცხიმს, ხორცს, სპერმაცეტს. ზოგი სახეობის რაოდენობა ძალზე შემცირებულია; ზოგი დაცულია საერთაშ. კანონით.

კბილის ბორმანქანა, სამედიცინო აპარატი, რ-იც აბრუნებს სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ კბილის ბურღს. იყენებენ კბილის მაგარი ქსოვილების დასამუშავებლად. კ. ბ. შეიძლება იყოს ფეხის (თითქმის აღარ იყენებენ), ელექტრული და ტურბინიანი. ელექტრული ბორმანქანის ბუნიკში გამაგრებულ კბილის ბურღს ამოძრავებს ელექტროძრავა, ტურბინიანში კი — ბუნიკში მოთავსებული ტურბინა, რ-საც აბრუნებს კომპრესორიდან მიწოდებული შეკუმშული ჰაერის ნაკადი. ელექტრონული კ. ბ-ის ბურღის ბრუნვის სიხშირეა 30 ათ. *ბრ/წთ*, ტურბინიანისა — 350 ათ-მდე *ბრ/წთ*. ბურღის ბრუნვის სიხშირის მომატება უმტკივნეულოს ხდის კბილის დამუშავებას, რადგან მინიმუმამდე მცირდება ვიბრაცია და კბილზე დაწოლა.

კბილის დაბჟენა, კბილის კარიესული ღრუს დახურვა რომელიმე ხელოვნური საბჟენი მასალით. კ. დ-ის მიზანია შეაჩეროს *კბილის კარიესის* განვითარება, აღადგინოს კბილის ანატ. მთლიანობა და ფიზიოლ. ფუნქცია. კ. დ-მდე აუცილებელია კბილის მექან. დამუშავება—კარიესული ღრუს გახსნა, გაფართოება, დარბილებული შიგთავსის მოცილება, ღრუს ფორმირება, ქიმ. დამუშავება, გამოშრობა და დაბჟენა. მკურნალობის პროცესში კარიესული ღრუს დასახურად იყენებენ დროებით ბჟენს (ხელოვნური დენტინი, თაბაშირი და სხვ.). მუდმივი ბჟენისათვის გამოყენებული მასალა უნდა იყოს მტკიცე, მაგარი, ფერით შეესაბამებოდეს კბილის ბუნებრივ ფერს, ნერწყვისა და სხვადასხვა გამღიზიანებლის მოქმედებით არ უნდა იცვლიდეს ფიზ.-ქიმ. თვისებებს და სხვ. მუდმივი ბჟენისათვის იყენებენ კბილის სამკურნ. ცემენტის (ფოსფატცემენტი, სილიკატცემენტი, სილიდონტი და სხვ.), ვერცხლისა და სპილენძის ამალგამას, გუდაპისს, პლასტმასას და სხვ., აგრეთვე კბილის ჩანართებს (ოქროს, პლატინის, ფაიფურის მასალის კარკასი), რ-ებიც ძირითადად კბილის დაშლილი გვირგვინის აღსადგენად იხმარება. საბჟენი მასალის შერჩევა კარიესული ღრუს სიღრმის, ლოკალიზაციისა და კბილთა ჯგუფის მიხედვით ხდება. სათანადო წესის დაცვით დაბჟენილი კბილი წლების მანძილზე ინარჩუნებს ფორმას და ფიზიოლ. ფუნქციას. *ნ. ბაძოშვილი.*

კბილის კარიესი, კბილის მაგარი ქსოვილების დაავადება, პოლიეტიოლოგიური პათოლოგიური პროცესი, რ-ის დროსაც ზიანდება მინანქარი, დენტინი, ცემენტი და კბილში წარმოიქმნება კარიესული ღრუ. უმეტესად 7—18 წლის მოზარდები ავადდებიან. კ. კ. შეიძლება გამოიწვიოს არასრულფასოვანმა კვებამ, არახელსაყრელმა სანიტ. და კლიმატ. პირობებმა, რაიმე დაავადებამ და სხვ. ტროფიკის მოშლის შედეგად კბილის მაგარ ქსოვილებში ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და კვება, პირის ღრუში არსებული მუდმივი გამღიზიანებელი ფაქტორის (ქიმ., ინფექციური, თერმული) ზემოქმედებით კბილის მაგარი ქსოვილი ადვილად ზიანდება და იშლება; კბილის ზედაპირზე (უფრო ხშირად სალეჭზე) ჩნდება მინანქრის ლაქა, რ-იც ჯერ ცარცისფერია, შემდეგ კი პიგმენტები უჩნდება. ლაქის მიდამოში მინანქარი ხორკლიანია, ნელ-ნელა რბილდება, იშლება და ჩნდება ღრუ; რღვევის პროცესი თანდათან ღრმად მდებარე ფენებზე ვრცელდება და მისი შეჩერება მხოლოდ *კბილის დაბჟენით* შეიძლება.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: კარიესული ღრუდან დარბილებული დენტინის მოცილება, ღრუს მექან. და ქიმ. დამუშავება და დაბჟენა.

პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ბავშვის ორგანიზმის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდიდან (4—5 თვეს) 11 წლამდე აუცილებელი მარილებით, განსაკუთრებით ფოსფორით, კალციუმით და D ვიტამინით; კვების რაციონალური რეჟიმი; პირის ღრუს *სანაცია* და სხვ.

ნ. ბაძოშვილი.



ადამიანის კბილის აგებულების სქემა: 1—მინანქარი; 2—დენტინი; 3 — ცემენტი; 4 — ღრძილის კიდე; 5—კბილის ალვეოლის კედელი; 6 — პერიცემენტი.

კბილის რეტენცია (ლათ. retentio — შეკავება), კბილის ამოჭრის ანომალია, ყბის ძვალში კბილის შეჩერება; ვლინდება რენტგენოგრამაზე.

კბილის ქვა, დ ე ნ ტ ო ლ ი თ ი ა ზ ი ს ი, მკვრივი დანალექი კბილებზე; შედგება ორგანული ფუძისა (საჭმლის ნარჩენები, მიკროორგანიზმები, გარქოვანებული ეპითელიუმის უჯრედები და სხვ.) და მარილებისაგან (ძირითადად ფოსფორმჟავა კალციუმისაგან), რ-ებიც ნერწყვიდან ილექება კბილებზე. უმეტესად ჩნდება კბილების ცუდი მოვლის შედეგად. კ. ქ. იწვევს ღრძილების ანთებას (*გინგივიტს*), კბილის ფესვების გაშიშვლებას, კბილების მორყევას და სხვ. პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: ღეჭვის ჰიგიენა (საკვები ყველა კბილით უნდა იღეჭებოდეს), კბილების გულმოდგინედ გაწმენდა ჯაგრისით, წელიწადში 1—2-ჯერ სტომატოლოგთან კ. ქ-ის მოცილება.

კბილნაპრალასებრნი (Selenodontidae), ძუძუმწოვრების ოჯახი *მწერიჭამიების* რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 30—35 *სმ*. დაფარულია უხეში ბალნით; აქვთ ვიწრო, ხორთუმისებური და წვრილი დინგი. გავრცელებული არიან დიდი ანტილის კ-ებზე. ოჯახში 1 გვარია — კბილნაპრალა (Selenodon), რ-იც 2 სახეობას მოიცავს: ჰაიტურ კბილნაპრალას (S. paradoxus) და კუბურ კბილნაპრალას (Atopogale cubana). კ. ცხოვრობენ ტყეში. აქტიური არიან ღამით. იკვებებიან მწერებით, ჭიებით, მოლუსკებით, ბაყაყებით, ხვლიკებით.

კბილსაზომი იარაღები, კბილა გადაცემის მექანიზმის გასაზომი საშუალებები. კ. ი-ით ზომავენ შიგა და გარე მოდების სწორ და ირიბ კბილიან ცილინდრულ, შევრონულ, კონუსურ კბილა თვლებს (კბილანებს), ჭიახრახნებს, ჭიაფრეზებს. განსაკუთრებულ ჯგუფშია გაერთიანებული მცირემოდულიანი კბილანების (1 *მმ*-ზე ნაკლები მოდულის) გასაზომი იარაღი. კ. ი-ით ამოწმებენ კბილანების კინემატიკურ სიზუსტეს, მუშაობის სიმდოვრეს, კონტაქტის სისრულესა და გვერდითს ღრეჩოს. უნივერს. ხელსაწყოებით შეიძლება რამდენიმე ან ერთი პარამეტრის შემოწმება (ზომების განსაზღვრულ დიაპაზონში). კ. ი. არის საჩარხო (სტაციონარული) და ზესადები. უფრო გავრცელებულია საჩარხო კ. ი. კ. ი-ით ატარებენ კბილანების მისაღებ (საბოლოო), პროფილაქტ. და ტექნოლ. კონტროლს. საბოლოო კონტროლისას ამოწმებენ კბილანების სიზუსტეს. ამ შემთხვევაში კონტროლი კომპლექსურია — ვლინდება კბილანების ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა ცდომილებანი. პროფილაქტ. კონტროლი ითვალისწინებს კბილსაჭრელი ჩარხის გეომ. და კინემატიკური სიზუსტის, კბილსაჭრელი იარაღის, სამარჯვისა და ნამზადის სიზუსტის შემოწმებას. ტექნოლ. კონტროლისას ამოწმებენ კბილანების ცალკეულ ელემენტებს (ბიჯს, პროფილს და სხვ.), რ-თა ცდომილების მიხედვით მსჯელობენ კბილანების დამუშავების ტექნოლ. პროცესის დარღვევის შესახებ. გაზომვის ბაზა უნდა ემთხვეოდეს დეტალის ჩარხზე დაყენების ბაზას. პრაქტიკაში ტექნოლ. კონტროლის ხელსაწყოებს ხშირად იყენებენ მისაღები კონტროლისათვის. კბილანების წარმოებისას იყენებენ აგრეთვე აქტ. კონტროლის ხელსაწყოებს, რ-ებიც დაყენებულია კბილსაჭრელ ჩარხზე და მართავენ კბილის მოჭრის პროცესს. ცილინდრული კბილანების მაჩვენებლების კ. ი-ით ზომავენ კინემატიკურ ცდომილებას და წრიული ბიჯის სხვაობას, კბილანის გვირგვინის რადიალურ ცემას (ცემსაზომი), ცენტრთაშორის მანძილს (ცენტრთაშორისის საზომი), მოდების ბიჯს, კონტაქტის ხაზის ფორმასა და მდებარეობას (კონტაქტსაზომი), კბილის მიმართულებას (სვლასაზომი), პროფილის საწყისი კონტურის მდებარეობას. კ. ი-ის ნაირგვარობას განაპირობებს კბილანების გეომ. ფორმის სირთულე, მათი დამუშავების მეთოდების მრავალფეროვნება და სხვ. *კ. ნუცუბიძე.*



კბილის განვითარების სქემა; 1—კბილის ფირფიტა; 2—მინანქრის ორგანო; 3—კბილის პულპა; 4—მუდმივი კბილის ჩანასახი.

კბილის კარიესი: 1—ნეკროზის (კვდომის) ზონა; 2—დარბილების ზონა; 3—მინანქრის მომატებული გამჭვირვალობის ზონა; 4—მინანქარ-დენტინის საზღვარი; 5—გამჭვირვალე დენტინის ზონა; 6—შეცვლილი ოდონტობლასტები.

კბილსაჭრელი იარაღი, ლითონსაჭრელი იარაღი, რ-ითაც ამუშავებენ კბილა



კბილის ბორმანქანა: 1—ელექტრული; 2 — ტურბინიანი.



კბილსაჭრელი იარაღი. ნახ. 1. კბილსაჭრელი ფრეზები: ა — დისკური; ბ — თითა; α_n — ფრეზის კბილის უკანა კუთხე ფრეზის ღერძის პერპენდიკულარულ სიბრტყეში; γ — წინა კუთხე.



კბილსაჭრელი იარაღი. ნახ. 2. კბილსაჭრელი სავარცხლები: ა — სწორკბილიანი; ბ — ირიბკბილიანი.

კბილსაჭრელი იარაღი. ნახ. 3. ჭიაკბილათვლის მოსაჭრელი ჭიაფრეზი.



კბილსაჭრელი იარაღი. ნახ. 4. კბილსარანდი საჭრისი. ა — ალესვის კუთხე; ბ — საერთო ხედი.



კბილსაჭრელი იარაღი. ნახ. 5. კბილსარანდი საჭრისებიანი თავი (1) და კბილა თვალი (2).

თვლებს, ხრუტუნა და ჭიაკბილანებს, შლიცურ ლილვებსა და სხვა კბილებიან დეტალებს. პირგადასაღები მეთოდის გამოყენებისას კბილა თვლებს ამუშავებენ სარანდი საჭრისებით, მოდულური, დისკური ან თითა ფრეზებით, კბილსაჭრელი თავებით, მოყვანილი სახეხი ქარგოლებით. ამ იარაღების პროფილი ზუსტად შეესაბამება დასამუშ. კბილა თვლის ღრმულის პროფილს. მოგორვის მეთოდით სარგებლობისას კბილა თვლების დასამუშავებლად იყენებენ კბილსაჭრელ სავარცხლებს, ჭიაფრეზებს, სატეხებს, კბილსარანდ საჭრისებს, საჭრისებიან თავებს, სახეხ ქარგოლებს. მოდულურ დისკურ ფრეზებს (ნახ. 1, ა) ამზადებენ ანაწყობის სახით (8, 15, 26 ცალად). ანაწყობის თითოეულ ფრეზს განსაზღვრული მოდულისა და დიაპაზონის კბილთა რიცხვის კბილანების მოსაჭრელად იყენებენ, თითა ფრეზს (ნახ. 1, ბ) კი — 20 *მმ*-ზე მეტი მოდულის სწორ და ირიბკბილა კბილა თვლების მოსაჭრელად. კბილსაჭრელი თავით ერთდროულად ამუშავებენ 2—6 *მმ*-მდე მოდულის კბილანების ყველა კბილს. კბილსაჭრელი სავარცხელი კბილანა ლარტყაა, რ-იც მუშაობს ისე, როგორც მოყვანილი სარანდი საჭრისი. სწორკბილიანი კბილსაჭრელი სავარცხლით (ნახ. 2, ა) ჭრიან ცილინდრულ, ხოლო ირიბკბილიანით (ნახ. 2, ბ) — შევრონულ კბილანებს. კბილებს ჭრიან ორი სავარცხლით; მარცხენა რანდავს მარცხ. მიმართულების კბილებს, მარჯვენა კი — მარჯვ. მიმართულებისას. ჭიაფრეზს (ნახ. 3) იყენებენ კბილანების შავი და სუფთა მოჭრისათვის. სატეხი მჭრელი ელემენტებით აღჭურვილი კბილა თვალია. მისი დანიშნულებაა შიგა და გარე მოდების კბილანების მოჭრა. კბილსარანდ საჭრისებს იყენებენ გარე მოდების კონუსური კბილანების მოსაჭრელად (ნახ. 4). კბილსარანდ საჭრისებიან თავს, ე. წ. ფარცხს (ნახ. 5) კი — ისეთი კონუსური კბილანების დასამუშავებლად, რ-თა კბილებს წრის რკალის მიმართულება აქვს. იგი წარმოადგენს დისკოს, რ-ის ტორსის პერიფერიაზე ჩადგმულია ცალკეული საჭრისები. კბილებს მოამრგვალებენ კბილსამრგვალებელი თითა ფრეზებით, კბილებს სუფთად ამუშავებენ სახეხი ქარგოლებით. კბილანების ფინიშური დამუშავებისათვის იყენებენ შეევრებს, მოსაგორებელ ნაწრთობ კბილანებს — ეტალონებს, ჰონს და თუჯის მისალესებს (მისალესები შარჟირებულია წვრილმარცვლოვანი აბრაზიული მასალით). წარმოებაში ცილინდრული კბილანების დასამუშავებლად იყენებენ სწორ ან ჯაჭვურ უწყვეტ საწელავებს, სწორკბილებიანი კონუსური კბილანების შავად და სუფთად დამუშავებისათვის — წრიულ შედგენილ საწელავებს, რკალისებრ კბილებიანი კონუსური კბილანების დასამუშავებლად — სპეც. საწელავებს. კბილების მოსაჭრელად იყენებენ აგრეთვე რგოლისებრ შვერილებიან სავარცხლისებრ ფრეზებს, მრავალსვლიან ჭიაფრეზებს. წარმოებაში დანერგილია კბილანების მოჭრის პროგრ. მეთოდები. მაგ., პროგრესულია კბილების დაჭდევის მეთოდი კბილანა საჭდევებით. *კ. ნუცუბიძე.*

კებინი ივანე (იოჰანეს) გუსტავის ძე [დ. 11 (24). IX. 1905, რანუ, ახლანდ. კოჰტლა-იარვეს რ-ნი, ესტ. სსრ], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. სოციალისტური შრომის გმირი (1975). სკკპ წევრი 1927-იდან. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1923-იდან. 1925—26 სწავლობდა ლენინგრ. საბჭ. პარტ. სკოლაში. 1927—31 მუშაობდა ლენინგრ. ოლქის გატჩინის რ-ნის სუსანინოს საბჭოში. 1931-იდან პარტ. სამუშაოზეა ლენინგრ. ოლქში. 1936—38 სწაელობდა წითელი პროფესურის ისტ.-პარტიულ ინ-ტში. 1941-იდან ხელმძღვანელ პარტ. სამუშაოზეა ესტ. კპ(ბ) ცკ-ში. 1947—48 ესტ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტის — საკ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის ფილიალის დირექტორი. 1948—50 ესტ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი. 1950-იდან ესტ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი, 1978 აგვ-დან ესტ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე, ნოემბრიდან — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე. სკკპ XIX—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. სსრკ III—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კეგელი, კეგლი (გერმ. Kegel), სასტამბო შრიფტის ზომა, რ-იც მოიცავს ასონიშნის (თვალის) სიმაღლესა და ე. წ. მხარულებს — თვალის ზემოთ და ქვემოთ მდებარე თავისუფალ სივრცეს (რ-იც ქმნის შუალედებს ტექსტის სტრიქონებს შორის დაბეჭდილ წიგნში, გაზეთში და ა. შ.; იხ. *ლიტერი*). კ-ს ზომავენ სასტამბო პუნქტებით (პუნქტი უდრის 0,376 *მმ*) ან *კვადრატებით* (48 პუნქტი). სსრკ-ში იყენებენ შემდეგი კ-ის შრიფტებს: 5; 6 (ნონპარელი); 7; 8 (პეტიტი); 9 (ბორგესი); 10 (კორპუსი); 12 (ციცერო); 14; 16; 20; 24; 28 და 36 პუნქტი, აგრეთვე 1; 1 $^1/_4$; 1 $^1/_2$; 2; 2 $^1/_2$; 3; 4; 5; 6; 8; 10; 12 და 15 კვადრატი. ქსე-ის სტატიების ძირითადი ტექსტი აწყობილია კ. 6 შრიფტით (ა. დუმბაძის მიერ სპეციალურად შექმნილი ე. წ. „საენციკლოპედიო" შრიფტი).

კედაინიაი, ქალაქი ლიტვ. სსრ-ში, მდ. ნიავეჟისის (ნიამუნასის შენაკადი) ნაპირზე. კედაინიაის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ვილნიუს—შიაულიაის ხაზზე. ვილნიუსიდან 133 *კმ*. საავტ. გზების კვანძი. ქიმკომბინატი, ელექტროაპარატურის, ლითონ- და რკინაბეტონის კონსტრუქციების, ბიოქიმ., ხის დასამუშ., ყველკარაქის, საკონსერვო და შაქრის ქ-ნები, ელევატორი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მატიანეში პირველად მოიხსენიება XIV ს-ში. ქალაქია 1590-იდან.

კედარი (Cedrus), მარადმწვანე წიწვოვან მცენარეთა გვარი ფიჭვისებრთა ოჯახისა. ერთსახლიანი მაღალი პირამიდული ან გაშლილვარჯიანი ხეებია. გვარი მოიცავს 4 სახეობას, რ-თაგან 3 (ლიბანური, ატლასური და მოკლეწიწვა კ.) გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის ოლქის აღმ. და სამხრ. ნაწილში, ერთი კი (ჰიმალაიური კ.) — ჰიმალაიის დას. ნაწილში. სსრკ-ში — ყირიმში, კავკასიასა და შუა აზიის სამხრ. ნაწილში — კულტივირებულია 3 სახეობა: ლიბანური, ატლასური და ჰიმალაიური კ. საქართველოში ყველაზე ფართოდ არის მოშენებული ჰიმალაიური კ. (C. deodara), რ-ის სიმაღლეა 50—60 *მ*, სისქე — 3,5 *მ*. აქვს 7—10 *სმ* სიგრძის გირჩა და სხვა სახეობებთან შედარებით უფრო გრძელი (25—50 *მმ*) მომწვანო-ლეგა წიწვი. გავრცელებულია ავღანეთის, ბელუჯისტანის და ჩრდ.-დას. ჰიმალაის მთებში ზ. დ. 1000—3600 *მ*-მდე. საქართველოში შემოიტანეს XIX ს. II ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ ტენის მოყვარული ხეა, მეტ-ნაკლებად გვალვადა ყინვაგამძლეც გამოდგა თბილისსა და მის მიდამოებში. საქართველოში კარგად ხარობს ზ. დ. 1200 *მ*-მდე. საკმაოდ სწრაფზარდია. სამშობლოში ცოცხლობს 1000 წლამდე. თბილ. ბოტან. ბაღში ყვავის ნოემბ.-დეკ-ში, სხვა კ-ებზე 1 თვით გვიან და მათთან ჰიბრიდებს არ იძლევა. დეკორატიულია და სოლიტერებად და სახეივნო ჯიშად იყენებენ. აქვს მაგარი, მკვრივი და გამძლე მერქანი, რ-საც იყენებენ სამშენებლო და საავეჯო მასალად, გემთმშენებლობაში. ლიბანური კ. (C. libani) და ატლასური კ. (C. atlantica) დიდად არ განირჩევა ჰიმალაიური კ-გან და ისევე იყენებენ. მოკლეწიწვა კ. (C. brevifolia) კი ტანდაბალი (12 *მ*-მდე სიმაღლის) ხეა, ჩვენში არ გვხვდება. *ვ. მირზაშვილი.*

კედელაური, იხ. *საბაშვილი* სერაპიონ სოგრატის ძე.

კედია ვალერიან ალექსანდრეს ძე [1 (14). VIII. 1911, ზუგდიდი, — 5. V. 1968, თბილისი], ქართველი საბჭ. არქიტექტორი. საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1961). სკკპ წევრი 1942-იდან. 1932 დაამთავრა საქართვ. სამშენებლო-საინჟინრო ინ-ტი (ახლანდ. ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექ. ინ-ტი). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას საქ. პოლიტექ. ინ-ტში 1931—33, თბილ. სამხატვრო აკადემიაში 1933—68. კ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო თანამედროვე არქიტექტურის შესატყვისი ეროვნ. დახვეწილი ფორმის, დეკორატიულობის ძიება. მთავარი ნამუშევრები: წყალტუბოში—სანატორიუმი „მეტალურგი" (თანაავტორი ნ. სოლოვიოვა, 1957), მე-9 საბაზანო (ი. ზაალიშვილთან ერთად), უსინათლოთა საზ-ბის სანატორიუმი და სხვ. ნაყოფიერად მუშაობდა კურორტების (წყალტუბო, ბაკურიანი), ქალაქების (ფოთი, რუსთავის მარცხ. სანაპირო), საბჭ. მეურნეობებისა (ზუგდიდი, წალენჯიხა) და მუშათა დასახლებების (ბოლნისი, ეკლარი) გენ. დაგეგმარების პროექტების შედგენაზე. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. *ს. კინწურაშვილი.*

კედირი (Kediri), ქალაქი ინდონეზიაში, კ. იავის აღმ. ნაწილში, ბრანტასის ხეობაში. 179 ათ. მცხ. (1971). სოფ. მეურნ. პროდუქციის პირველადი გადამუშავება (საფეიქრო, შაქრის, ზეთსახდელი და სხვა საწარმოები).

კედლის მხატვრობა, კედელზე მიმაგრებულ ტილოზე ან ქაღალდზე, ანდა უშუალოდ ბათქაშზე საღებავებით დახატული სურათები და ორნამენტები. კ. მ. შეიძლება შესრულდეს ფრესკის, წებოვანი ფერწერის, ტემპერის, ცვილოვანი ფერწერის, ზეთის ფერწერის ტექ. საშუალებებით. XIX ს-იდან გავრცელდა აგრეთვე სილიკატური ფერწერა. ზოგჯერ კ. მ-ს პირობითად მიაკუთვნებენ მოზაიკას. კ. მ-ის უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს გვიანდ. პალეოლითური ეპოქის გამოსახულებები მღვიმეებში და კლდეებზე. არქიტ. ნაგებობათა მოხატვა გავრცელებული იყო ძვ. ეგვიპტეში, განსაკუთრებით ძვ. წ. III—I ათასწლეულებში; ტაძრებსა და პირამიდებს რთავდნენ საკულტო, ბატალური, ყოფითი და სხვ. სცენების ამსახველი გამოსახულებებით. ძვ. წ. II ათასწლ. მიეკუთვნება ჩინური კ. მ-ის ნიმუშები; ძვ. წ. I ათასწლ.— ურარტული. ძვ. წ. II ათასწლეულში ეგეოსურ სამყაროში შეიქმნა კ. მ., რ-იც ანტ. ფერწერის წინამორბედად ითვლება. ძვ. საბერძნ. კ. მ-ის ოსტატებმა (პოლიგნოტე და სხვ.) შექმნეს მოქალაქეობრივი შინაარსით აღსავსე კედლის მოხატულობანი. ძვ. რომში ფართოდ გავრცელდა დეკორ. კ. მ. შუა აზიის ტერიტორიაზე უძველესი კედლის მოხატულობანი შესრულებულია ძვ. წ. პირველ საუკუნეებში (ხვარაზმი), ხოლო საუკეთესო კ. მ. ფიგურული გამოსახუ-

ლებებით—VII—VIII სს-ში (ფენჯიკენტი, ვარახშა და სხვ.). მომდევნო საუკუნეებში შუა აზიაში (აგრეთვე შუა საუკ. ირანში, წინა აზიისა და მავრიტანიულ ხელოვნებაში) გავრცელდა ორნამენტული კ. მ. ჩინეთში (დუნხუანი, V—XI სს.), ინდოეთში (აჯანტა, VI—VII სს.), ცეილონში (V ს. მღვრმეებში) შეიქმნა მდიდარი კ. მ. ჩინეთში, კორეაში, იაპონიასა და სხვ. კ. მ-ებით ირთვებოდა სასახლეები, ტაძრები და სხვ. ნაგებობები.

შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა რელიგ. შინაარსის, მაღალი მთავრონებით გამსჭვალული კ. მ. (ბიზანტია, საქართველო, სერბია, ბულგარეთი, რუსეთი). დას. ევროპაში კ. მ. გავრცელდა რომანული სტილის ხელოვნებაში. გოტიკური სტილის შენობებში, სადაც მთლიანი კედლები არ არსებობს, კ. მ-ის ადგილი დაიკავა *ვიტრაჟმა*. კ. მ-ის განვითარებაში ახ. ეტაპი დაიწყო რენესანსის ეპოქაში. იტალ. ოსტატებმა *ჯოტომ, მაზაჩიომ, პიერო დელა ფრანჩესკამ, ლეონარდო და ვინჩიმ, რაფაელმა, მიქელანჯელომ* მიაღწიეს გამოსახულების ღრმა დამაჯერებლობას, სიმართლეს, არქიტექტურისა და ფერწერის ორგ. კავშირს. XVI ს. დასასრ. და XVII ს. I ნახევარში ევრ. ბაროკოს ხელოვნებაში კ. მ-მ დეკორ. ხასიათი მიიღო. შენობებში კ. მ. თანდათან განიდევნა სარკეებით, შპალერით და სხვადასხვა მორთულობებით. ხატავდნენ უმთავრესად ჭერზე (პლაფონი). კლასიციზმის ეპოქის (XVIII ს.—XIX ს. დასაწყ.) კ. მ-ში ჭარბობდა არქიტ. ფორმების, ქანდაკებისა და პეიზაჟის გამოსახვა. XIX ს-ში შეიმჩნევა თემატიკური კ. მ-ის აღდგენის ცდა. XIX ს. დასასრულიდან კ. მ. ფორმალისტური ტენდენციებით განიმსჭვალა, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა მოწინავე იდეების გამომხატველი მოხატულობები (მაგ., პრაღის ეროვნ. თეატრის კ. მ.; მხატვრები მ. ალეში, ფ. ჟენიშეკი და სხვ.).

XX ს. კ. მ-ის ოსტატთაგან აღსანიშნავი არიან დ. რივერა, ხ. ოროსკო, დ. სიკეიროსი (მექსიკა), ჰ. ერნი (შვეიცარია), ა. რეფრეჟიე (აშშ), მ. შაგალი (საფრანგეთი), ს. სპენსერი (დიდი ბრიტანეთი), სსრკ-ში — ლ. ბრუნი, ა. დეინეკა, პ. კორინი, ე. ლანსერე, ვ. ფავორსკი, ა. ვასნეცოვი და სხვ.

საქართველოში კ. მ-ის უძველეს ნიმუშებს მიეკუთვნება ქსნის არმაზის ეკლესიის კანკელის (864) და თელოვნის ტაძრის (VIII—IX სს.) მოხატულობის ფრაგმენტები, დოდოს მონასტრის (დავითგარეჯა) ეკლესიის აფსიდში ქრისტესა და მთავარანგელოზების გამოსახულება (IX ს.). IX—X სს. უნდა მიეკუთვნებოდეს მაცხოვრის ეკლესიის აფსიდის მოხატულობა სვანეთის სოფ. ნესგუნში. კ. მ-ის განვითარების შემდეგი ეტაპი მოიცავს X ს. დასასრ. — XII ს. შუა წწ. X—XI სს. მიჯნაზე ადრეული პერიოდის ლაკონიური დეკორი, რ-იც მხოლოდ ტაძრის მთავარ ნაწილებს გამოყოფდა, შეიცვალა ვრცელი მოხატულობით; კ. მ. სიუჟეტურადაც გამდიდრდა — ტრადიციულის გარდა, ხშირია ქტიტორთა და ადგილ. წმინდანთა გამოსახულებები. ამ პერიოდიდან კ. მ-ის რამდენიმე რეგიონული სკოლაა ცნობილი. X—XI სს. ტაო-კლარჯეთში შეიქმნა კ. მ-ის მრავალი ნიმუში. ამათგან აღსანიშნავია ოთხთა ეკლესიის (X ს. დასასრ.), ოშკის (1036), იშხნის, ხახულის, ტბეთის (ყველა XI ს. დასაწყ.) და სხვ. მოხატულობა. ამავე სკოლის ოსტატთა მიერ უნდა იყოს შესრულებული კუმურდოს და მანგლისის (XI ს. 10—20-იანი წწ.) კ. მ. კახეთში კ. მ-ის სკოლა დავითგარეჯის მონასტერთან არის დაკავშირებული. ამ სკოლის კ. მ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრისა და სატრაპეზოს ფრესკები (XI ს.). კ. მ-ის თავისებური სკოლები ჩამოყალიბდა აგრეთვე სვანეთსა და რაჭაში. სვანეთში აღსანიშნავია *თევდორე* მეფის მხატვრის და *მიქაელ მაღლაკელის* მიერ შესრულებული ფრესკები. რაჭაში აღსანიშნავია ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიის კ. მ. (XI ს.). XI ს. II ნახ. კ. მ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია ატენის სიონის მოხატულობა; 1120-იან წწ. მიეკუთვნება გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის ძოხატულობის უძველესი ნაწილი.

კ. მ-ის განვითარების შემდგომ ეტაპზე (XII ს. II ნახ. — XIII ს. I ნახ.) თანდათან ისახება ახ. ტენდენციები: საგრძნობლად იზრდება კომპოზიციისა და ნახატის დინამიკურობა, საერთო დეკორატიულობა (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ბერთუბანი). ამ დროის მოხატულობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტ. პირთა გამოსახულებები (გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა გიორგი). XIII ს. II ნახ. კ. მ. (უკვე მონღოლთა ბატონობის პერიოდში) ძირითადად ძვ. ტრადიციებს მიჰყვება, მაგრამ გაუხეშებული სახით.

XIII—XIV სს. მიჯნაზე იქმნება ე. წ. პალეოლოგიური სტილის ნაწარმოებები. ამ მხატვრობის უმნიშვნელოვანესი ნიმუშებია გელათის ტაძრის სამხრ. ეკვდერის აღმ. ნაწილის (1290-იანი წწ.), აგრეთვე ხობის სამხრ.-დას. კამარის და ზარზმის ტაძრების მოხატულობა (XIII—XIV სს. მიჯნა). ლიხნის, უბისის, წალენჯიხის (XIV ს.) მოხატულობა პალეოლოგური სტილის განვითარებული საფეხურის ნიმუშებია. მიგვიანო საუკუნეთა ძეგლთაგან აღსანიშნავია ნაბახტევის (1430-იანი წწ.), ალავერდის (XV—XVI სს.), გელათის ტაძრის ჩრდ. ეკვდერის (XV ს. II ნახ.), უშგულისა და ლაშთხვერის მოხატულობა. XVI ს. კ. მ-იდან აღსანიშნავია გელათის მთავარი ტაძრის ცენტრ. ნაწილის, გელათის წმ. გიორგის, სოფ. ტაბაკინის, სოფ. გეგუთის, რაჭისა და სვანეთის ტაძრების, აგრეთვე სამთავროს, ნეკრესის, გრემის, ახალი შუამთის, ალვანის, ნაწილობრივ ალავერდის და სხვ. მხატვრობა. კ. მ-ის მრავალი ნიმუში შემოგვრჩა XVII ს-იდან სვეტიცხოვლის, გელათის ღვთისმშობლის (ჩრდ. ეკვდერი და დას. მკლავი), სამთავისის, ნიკორწმინდის, მარტვილის, შემოქმედის, ხობის (ცენტრ. ნავი), ხონის წმ. გიორგის, წალენჯიხის (ეკვდერი), ბობნევის და სხვ. ეკლესიებში.

ქართული კ. მ-ის აღორძინება დაიწყო საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ. აღსანიშნავია ბ. ბერძენიშვილის, ე. ბერძენიშვილის, რ. თარხან-მოურავის, ნ. იგნატოვის, რ. სტურუას, ვ. ქოქიაშვილის, ლ. შენგელიას, ლ. ცუცქირიძის, უ. ჯაფარიძისა და სხვათა ნამუშევრები.

ლიტ: აბრამიშვილი გ., დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972; ლორთქიფანიძე ი., ნაბახტევის მოხატულობა, თბ., 1973; Аладашвили Н. А., Алибегашвили Г. В., Вольская А. И., Росписи художника Тевдоре в Верхней Сванети, Тб., 1966; Алибегашвили Г. В., Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957; Амиранашвили Ш. Я., История грузинской монументальной живописи, т. 1, Тб., 1957; Беридзе В. В., Езерская Н. А., Искусство Советской Грузии. 1921—1970, М., 1975; Вирсаладзе Т. Б., Роспись Иерусалимского крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973; Мисиэ, Фрагменты древней фресковой росписи Главного Гелатского храма. «ქართული ხელოვნება», 1959, ტ. 5; Мисиэ, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, იქვე,1955. ტ. 4; Воейкова И. Н., Художники-монументалисты, М., [1969]; Вольская А. И., Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974; Привалова Е. Л., Павнисн, Тб., 1977; Шервашидзе Л. А., Некоторые средневековые стенные росписи на территории Абхазии, Тб., 1971; Philippot P., Die Wandmalerei, W.—München., [1972].



სანატორიუმი „მეტალურგი". წყალტუბო. 1957. არქიტექტორი ვ. კედია. (თანაავტორი ნ. სოლოვიოვა).

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 512-513.

კედრინი დიმიტრი ბორისის ძე [22. I (4. II). 1907, ბოგოდუხოვის მაღარო, ახლანდ. დაბა შჩეგლოვკა, დომბასი, — 18. IX. 1945, დაბა ტარასოვკა, მოსკ. ოლქი], რუსი საბჭ. პოეტი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1924-იდან. მისი ლექსებისათვის („თოჯინა", 1932, „ორთაბრძოლა", 1933 და სხვ.) დამახასიათებელია ლირ. ინტონაცია და რუს. ბუნების ფაქიზი აღწერა. კ-ის ნაწარმოებები „ხუროთმოძღვრები" (1938), „ცხენი" (1940), „რემბრანდტი" (1938, გამოაქვეყნა 1940) ისტ. თემაზეა შექმნილი. სამამულო ომის წლებში წერდა პატრ. ლექსებს („ტირილი", „ზარი" და სხვ.).



ჰიმალაიური კედარი. ტოტი მამრობითი და ერთი მწიფე მდედრობითი გირჩებით; ა—სათესლე ქერქელი.

კედროვი ბონიფატი მიხეილის ძე [დ. 27. XI (10. XII). 1903, იაროსლავლი], საბჭ. ქიმიკოსი და ფილოსოფოსი. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1960), წევრი (1966). სკკპ წევრი 1918-იდან. დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ქიმიის ფაკ-ტი (1930). 1935—41 წწ. ჯერ პარტიულ, შემდეგ კი სამეცნ. სამუშაოზეა. 1941—45 საბჭ. არმიის რიგებშია. 1947—49 იყო ჟურნ. „ვოპროსი ფილოსოფიის" მთავარი რედაქტორი. 1946—58 და 1971-იდან სკკპ ცენტრ. კომიტეტთან არსებულ საზ. მეცნ. აკად. პროფესორია. 1962-იდან სსრკ მეცნ. აკად. ბუნებისმეტყველებისა და ტექ. ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, 1973-იდან სსრკ მეცნ. აკად. ფილოს. ინ-ტის დირექტორი.

ბ. კედროვი.

კ-ის ძირითადი მეცნ. შრომები მიძღვნილია თერმოდინ. და ფიზ. სტატისტიკის, დიალექტ. მატერიალიზმის, ბუნებათმეცნიერების ფილოს. საფუძვლების, მეცნიერებათა კლასიფიკაციის, ფსიქოლოგიის, ლოგიკის და მეცნ. აღმოჩენათა ლოგიკის პრობლემებისადმი.

კ. არის წევრი მეცნიერებათა ისტ. საერთაშ. აკადემიისა (1963), სერბიის მეცნ. და ხელოვნ. აკადემიისა (1965), ბულგ. მეცნ. აკადემიისა (1972), გერმ. ბუნებისმკვლევართა აკადემია „ლეოპოლდინასი" (1972). დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Единство диалектики, логики и теории познания, М., 1963; О количественных и качественных изменениях в природе, [М.], 1946.

მ. ნ. კედროვი.

კედროვი მიხეილ ნიკოლოზის ძე [21. XII. 1893 (2. I. 1894), მოსკოვი, — 22. III. 1972, იქვე], რუსი საბჭ. რეჟისორი, მსახიობი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1948). 1922 ჩაირიცხა მოსკ. სამხატვრო თეატრის მე-2 სტუდიაში, 1924-იდან — იმავე თეატრის დასში. 1945—56 წლებში იყო სამხატვრო თეატრის მთავარი რეჟისორი, 1960—70 წლებში კი — იმავე თეატრის სამხატვრო კოლეგიის თავ-რე. მისი დადგმებიდან აღსანიშნავია: „ხალხში" (გორკის ნაწარმოების მიხედვით, 1933), კრონის „ღრმა დაზვერვა" (1943), ჩეხოვის „ძია ვანია" (1947), გოგოლის „რევიზორი" (1947), მოლიერის „ტარტიუფი" (1939) და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946, 1949, 1950, 1952). მისი საუკეთესო როლებია: მანილოვი (გოგოლის „მკვდარი სულების" ინსცენირებაში, 1932), ზახარ ბარდინი (გორკის „მტრები", 1934), კარენინი (ლ. ტოლსტოის

მ. ნ. კედროვი მანილოვის როლში (ნ. გოგოლის „მკვდარი სულების" მიხედვით).

ბ. ს. კედროვი.



ს. კევორკოვი.



ს. კეთილაძე.

კევრი. ქართული. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

„ანა კარენინას" მიხედვით, 1938), ტარტიუფი (ამავე სახელწოდების მოლიერის პიესაში, 1939), გორელოვი (კორნეიჩუკის „ფრონტი", 1942).

ლიტ.: Владимирова З. В., Каждый по-своему, М., 1966, с. 9—56.

კედროვი მიხეილ სერგეის ძე [12 (24). II. 1878, მოსკოვი, — 2. XII. 1941], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1901-იდან. სწავლობდა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე და დემიდოვის იურიდ. ლიცეუმში იაროსლავლში (1897—1902). 1901—02 იყო იაროსლავლის ს.-დ. ორგანიზაციის წევრი, 1905 — კოსტრომის ბოლშევიკთა კომიტეტის წევრი და საბრძოლო რაზმის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1906 ბოლშევიკური პარტიის დავალებით პეტერბურგში ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა წიგნის გამომცემლობა „ზერნოს". არაერთხელ იყო რეპრესირებული. 1912 ემიგრაციაში გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც დაამთავრა ლოზანის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1916 ექიმად იყო კავკ. ფრონტზე, 1917 თებ. რევ. შემდეგ — შერეფხანეს (ჩრდ. ირანი) საბჭოს თავ-რედ. გაზ. „სოლდატსკაია პრავდის" რედაქტორი, გაზ. „რაბოჩი ი სოლდატის" ორგანიზატორი. 1917 ნოემბრიდან სამხ. საქმეების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი. 1919 სრულიად რუს. საგანგებო კომისიის განსაკუთრებული განყ-ბის თავ-რე, შინაგან საქმეთა სახკომის კოლეგიის წევრი, რკ(ბ) ცკ-ის რწმუნებული სამხრ. და დას. ფრონტებზე; პეტროგრ. დაცვის მონაწილე. 1924—25 მუშაობდა სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში და ჯანდაცვის სახ. კომისარიატში; 1926 — 27 — სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხ. პროკურატურის განყ-ბის პროკურორის თანაშემწედ; 1928—32 — წითელი საორტული ინტერნაციონალის აღმასკომის პრეზიდიუმში. 1932-იდან რსფსრ სახელმწ. საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი; 1934-იდან — სამხ.-სანიტ. ინ-ტის დირექტორი. აქვს სტატიები პარტიის ისტ. და სამოქალაქო ომის საკითხებზე. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

კევედო ი ვილიეგასი (Quevedo y Villegas) ფრანსისკო (26. IX. 1580, მადრიდი, — 8. IX. 1645, ვილიანუევა-დელოს-ინფანტესი), ესპანელი მწერალი. კ-მა თავის სატირულ პოეზიაში, პროზაში, რომანსებში და ე. წ. „ლეტრილებში" (ლექსად დაწერილი მიმართვა ან წერილი) წარმოადგინა XVII ს. ესპ. საზ-ბის მორალური დეგრადაციის სურათი. მისი მთავარი ნაწარმოებია პიკარესკული რომანი „თაღლით დონ პაბლოს ცხოვრების ამბავი" (1606—09, გამოქვეყნდა 1626); რომანი გამოირჩევა დიდი მამხილებელი ძალით, რის გამოც მეფის ცენზურამ იგი არასაიმედო ნაწარმოებთა სიაში შეიტანა. კ-ის პროზა რაციონალურია, მასში არ გვხვდება ლირ. და ემოციური ელემენტები. თვალში საცემია სვედიანი ჰუმანიზმი და სკეპტიციზმიც. ხშირად კ. გვერდს უვლის რეალობას, თავს აფარებს ირონიას, სარკაზმს, კარიკატურას, პარადოქსს და თავისებურ აბსურდულ სამყაროს ქმნის. მის თხზულებებში უხვადაა დახვეწილი ეპითეტები, მეტაფორები, მოულოდნელი შედარებები, რთული ანტითეზები, კალამბურები. კ-ის შემოქმედება XVII ს. ესპ. ბაროკოს ლიტ-რის გამოხატულება და კონცეპტიზმის მკაფიო ილუსტრაციაა.

თხზ.: Obras completas, t. 1—2, Madrid, 1958—60; Избранное, Л., 1971.

ლიტ.: Аргамонов С. Д., Самарин Р. М., История зарубежной литературы XVII века, 2 изд., М., 1963.

კევენდიში (Cavendish) ჰენრი (10. X. 1731, ნიცა, — 24. II. 1810, ლონდონი), ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1760). დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი (1753). მისი უმთავრესი შრომები ეხება აირთა ქიმიასა და ექსპერ. ფიზ. სხვადასხვა საკითხს. დაამუშავა აირთა შეგროვების, გაწმენდისა და შესწავლის მეთოდიკა, რ-ის მეშვეობით 1766 შეძლო სუფთა წყალბადისა და ნახშირორჟანგის მიღება, მათი სიმკვრივისა და სხვა თვისებების დადგენა, განსაზღვრა ჰაერის შედგენილობა (1781). ჟანგბადის წვის შედეგად დაადგინა წყლის ქიმ. შედგენილობა (1784). ელექტრული ნაპერწკლის მეშვეობით მიიღო აზოტის ჟანგეულები და გამოიკვლია მათი თვისებები (1785). შემოიღო ელექტრული პოტენციალის ცნება. წინასწარ განჭვრიტა შ. *კულონის* კანონი, პირველმა ჩამოაყალიბა თბოტევადობის ცნება და სხვ. 1798 გრეხითი სასწორის მეთოდით განსაზღვრა გრავიტაციული მუდმივა (იხ. *გრავიტაცია*). კ-ის სახელი უწოდეს კემბრიჯის უნ-ტში 1781 ჩამოყალიბებულ ფიზ. ლაბორატორიას.

თხზ.: The scientific papers, v. 1—2, Camb., 1921.

კევის ბალახი, მცენარის გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა, იგივეა, რაც *ფამფარულა*.

კევლიანი, სოფელი მცხეთის რ-ნში (ცხვარიჭამიის სოფსაბჭო), იალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თეზმის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1220 *მ*, მცხეთიდან 28 *კმ*. სოფ. გალავნის ექსპერ. მეურნეობა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. საგურამოში (19 *კმ*). საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კევორკოვი სტეფანე აღაბეკის ძე [დ. 19. III (1. IV). 1903, მოსკოვი], საბჭ. კინორეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1970). სკკპ წევრი 1945-იდან. 1930 დაამთავრა მოსკ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ტექნიკუმი. მუშაობდა „აზერკინოს" სტუდიაში. ნ. შენგელაიასთან ერთად (მეორე რეჟისორი) გადაიღო ფილმი „ოცდაექვსი კომისარი" (1933). 1933—36 მუშაობდა „მოსფილმში", 1936-იდან „არმენფილმის" სტუდიაში. ე. კარამიანთან ერთად გადაიღო ფილმები: „მთის მარში" (1939), „მოჩვენებანი ტოვებენ მწვერვალებს" (1955), „ქუხილის ბილიკით" (1956), „აფეთქება ნაშუალამევს" (1968). 1956—64 სომხ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი. სომხ. სსრ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1967). დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

კევრი, სკვერი (რაჭა, ქვემო ქართლი), კიავირ (სვანეთი), პურეულის სალეწი იარაღი. ტრაპეციის ან სამკუთხედის ფორმისაა. შეკრულია გათლილი ფიცრებისაგან. გვხვდება „ერთიანი"—ცალფიცრიანი ან ერთ ხეში გამოფვანილი, „ორიანი"—ორფიცრიანი და სამფიცრიანი. აგებულებითა და დამზადების ტექნიკით ცნობილია თავიანი (თავაწეული, ნავიანი) ან სწორი (ბრტყელი, უთავო). კ-ის ძირი ქვით ან ქვითა და რკინით (კაჟისა და რკინის ნატეხები) არის მოკოხილი (რკინა თავთავს ჭრიდა, ქვა კი ბუდიდან მარცვალს ფშვნეტდა). კ-ში აბამდნენ ხარს ან ცხენს. კ-ის გავრცელების არეები საქართველოში დაკავშირებულია ხორბლის გარკვეულ სახეებთან. „ქართული კევრი" (ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ოლქში), „თრიალეთური" (უმთავრესად კახეთში) და ა. შ. სამხრ. კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში კ. ცნობილია ძვ. წ. I ათასწლეულიდან. განათხარი კ-ის ნაშთები აღმოჩენილია ხოვლეგორაზე (ძვ. წ. XI—IX სს.), მცხეთაში (ძვ. წ. VII—VI სს.), უფლისციხეში (ანტიკ. ხანა), კავთისხევში (გვიანდ. ფეოდ. ხანა) და სხვ.

ლიტ.: გასიტაშვილი გ., ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; მენთეშაშვილი ს., კევრი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1936, ტ. 9B; ჩუბინიშვილი ტ., მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში, «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე», 1951, ტ. 12, № 1. *გ. გასიტაშვილი.*

კეზელი დავით ივანეს ძე (25. VII. 1854 — 1907), ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი. 70-იანი წწ. I ნახევარში ხელმძღვანელობდა თბილ. სემინარიის მოსწავლეთა ფარულ წრეს. აღმოაჩნდა ხელისუფლების საწინააღმდეგო შინაარსის წერილი და პროკლამაცია „საქართველოს ახალ თაობას". რევ. საკითხში ხალხოსნურ პოზიციაზე იდგა: გადამწყვეტ როლს ანიჭებდა რჩეულ ადამიანებს, ტალანტებს, გმირებს. დაუპატიმრეს 1873 დეკ. გამოძიებამ დამნაშავედ ცნო და მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ არასრულწლოვანების გამო 8 თვის პატიმრობა მიესაჯა. 70—90-იან წლებში და XX ს. დამდეგს ეწეოდა აქტ. საზ. საქმიანობას. თანამშრომლობდა „დროებაში", „ივერიაში", „შრომაში", „ცნობის ფურცელსა" და სხვ. პერიოდულ გამოცემებში. 1905—07 რევ. პერიოდში აქვეყნებდა წერილებს გორის მაზრის გლეხთა მოძრაობაზე. აღსანიშნავია კ-ის დრამ. საქმიანობა: მისი პიესები („ორცოლიანი", „ბიძიასთან გამოხმაურება", „დედა და შვილი" და სხვ.) წარმატებით იდგმებოდა თბილ., თელავის, გორის და სხვ. ქ-ების სახ. თეატრების სცენებზე. კ-მა ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა რუსულად ვაჟა-ფშაველას ლექსები და 1886 გამოაქვეყნა გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში". აქტიურად იბრძოდა ქალთა ემანსიპაციისათვის. ამ თემაზე მრავალი წერილი დაბეჭდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებში. პრესაში თანამშრომლობდა „ზოილის", „დავით სოსლანის", „არაგველის" ფსევდონიმებით. კ-მა სახალხო გმირის, ა. ოძელაშვილის უკვდავსაყოფად მის საფლავზე ქვა დადო.

თხზ.: კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივის", ტფ., 1888; სცენები მიროვი სუდიასთან, ტფ., 1888.

ლიტ.: ანთელავა ი., საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში (XIX ს. მეორე ნახ.), თბ., 1967; შველიძე ზ., რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.

ზ. შველიძე.

კეზელი თამარ ალექსანდრეს ასული (დ. 9. XII. 1909, დუშეთი), ქართველი საბჭოთა მცენარეთა ფიზიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). სკკპ წევრი 1941-იდან. საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტის ბიოაქტიურ ნივთიერებათა ლაბორ. გამგე. მისი გამოკვლევები ეხება ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებებს. ძირითადად შეისწავლის ვიტამინებს, მათ როლს და მნიშვნელობას მცენარეების ცხოველმოქმედებისათვის (ვეგეტატიური გამრავლება, ვაზის და სხვა კულტურების ქლოროზი და ყინვაგამძლეობა და სხვ.). გამოავლინა საქართვ. ფლორის რიგი პოლიფიტამინური მცენარეები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კეთილარი, სოფელი აბაშის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., გალმა კოდორი, გულეიკარი). ზ. დ. 15 *მ*, აბაშიდან 23 *კმ*, ჯვაპანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6,5 *კმ*. კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეცხოველეობა, მებოსტნეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), ბიბლ., საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კეთილაძე სერგო პოლიკარპეს ძე (1910, ზესტაფონი, — 1. IV. 1942, ლიუბანი, ლენინგრ. ოლქი), საბჭ. კავშირის გმირი (10. II. 1943; სიკვდილის შემდეგ). მაიორი. სკკპ წევრი 1931-იდან. მონაწილეობდა ხასანის ტბასთან იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (1938). დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ბრძოლებში ჩაება. 1942 წ. 1 აპრილს ლენინგრ. მისადგომებთან (ლიუბანთან) 32-ე ცალკე მსროლელმა ბრიგადამ, რ-საც კ. მეთაურობდა, ჩაშალა მოწინააღმდეგის ყველა ცდა დაეკავებინა ამ შენაერთის პოზიციები. ბრძოლაში კ. გმირულად დაიღუპა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და წითელი დროშის

ორდენით. დაკრძალულია ქ. ვოლხოვის ძმათა სასაფლაოზე.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

„კეთილდღეობის კავშირი“, დეკაბრისტების ფარული ორგანიზაცია, რ-იც შეიქმნა 1818 დამდეგს, „ხსნის კავშირის“ დაშლის შემდეგ. „კ. კ-ში“ შედიოდნენ ა. და ნ. მურავიოვები, ს. და მ. მურავიოვ-აპოსტოლები, პ. პესტელი, ი. იაკუშკინი, მ. ლუნინი და სხვ. „კ. კ-ის“ ორგანიზაციის პროგრამა მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის მოსპობას, ბატონყმობის გაუქმებას, კონსტ. მმართველობის შემოღებას და სხვ. 1821 „კ. კ.“ დაიშალა. მისმა ყველაზე აქტ. წევრებმა შეადგინეს დეკაბრისტთა ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზ-ბების ბირთვი.

კეთილი იმედის კონცხი (ინგლ. Cape of Good Hope), ქარიშხლის კონცხი (პორტუგ. Cabo das Tormentas), კლდოვანი კონცხი აფრიკის სამხრ. ნაწილში, ს. გ. 34°21′ და ა. გ. 18°30′ შორის. აღმოაჩინა პორტუგ. ზღვაოსანმა ბ. *დიაშმა* 1488 და „ქარიშხლის კონცხი“ უწოდა, პორტუგ. მეფემ კი—„კ. ი. კ.“ (იმედოვნებდა, რომ აქედან ინდოეთს მიაღწევდა).

„კეთილი სამსახური“, საერთაშორისო დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, როცა სახელმწიფო, რ-იც დავაში არ მონაწილეობს, ხელს უწყობს მოდავე სახელმწიფოთა შორის კონტაქტის დამყარებას, მაგრამ დავის არსებით განხილვაში მონაწილეობას არ ღებულობს (ამით განსხვავდება „კ. ს.“ *შუამავლობისაგან*). „კ. ს-ის“ წესები ძირითადად მოცემულია ჰააგის 1907 კონვენციაში საერთაშ. დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ. „კ. ს.“ შეიძლება გასწიოს საერთაშ. ორგანომ. გაერის წესდება (მმ. 33, 36, 38) ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს „კ. ს-ს“. სსრკ-ის „კ. ს-ის“ შედეგად 1966 მშვიდობიანად მოგვარდა ინდ.-პაკისტ. სამხ. კონფლიქტი.

გ. ქვანია.

კეთილსინდისიერი შემძენი (სამოქალაქო სამართალში), პირი, რ-მაც არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ნივთი შეიძინა იმისგან, ვისაც არ ჰქონდა ამ ნივთის გასხვისების უფლება (საქ. სსრ სამოქალაქო კოდ., მ. 147).

კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus), წყვილჩლიქოსანი ცხოველი *ირმისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 240 *სმ* აღწევს, წონა 300 *კგ*. რქიანი მხოლოდ ხარია. აქვს გრძელი და წვრილი ფეხები, მოკლე კუდი, დიდი და ოვალური ყურები. ნუკრები ხალებიანი არიან, მოზრდილებს კი ხალები ნაკლებად ემჩნევათ. გავრცელებულია ევროპაში (გარდა ჩრდ.-აღმ. ნაწილისა), მცირე, შუა, ცენტრ. და აღმ. აზიაში, ჩრდ. ამერიკის ზომიერ სარტყელში. იკვებება მცენარეულობით. აქტიურია როგორც დღისით, ისე ღამით. დიდ ნაბიჯებს ადგამს, დამფრთხალი კ. ი-ის ნახტომის სიგრძე 5—6 *მ* აღწევს. კარგად ცურავს. განვითარებული აქვს ყნოსვა და სმენა. ჯოგური, პოლიგამიური ცხოველია. მყვირალობა 1 თვეს და მეტხანს გრძელდება. მასობრივი მყვირალობა სექტ. დასასრ. შეიმჩნევა. ხარები ამ პერიოდში ჩხუბობენ, ზოგჯერ ერთმანეთს რქებს ამტვრევენ და ჭრილობასაც აყენებენ. მაკეობა 8,5 თვე გრძელდება, შობს 1, იშვიათად 2 ნუკრს. სქესობრივად მე-3 წელს მწიფდება. ცოცხლობს 20 წლამდე (ტყვეობაში 25—30 წელს). კ. ი. რქებს ყოველწლიურად იცვლის (უმთავრესად მარტ-აპრილში). აბ. რქების ზრდა ივნ.-ივლისში მთავრდება. რქების ტოტების რიცხვი 20-მდე აღწევს. კ. ი-ის რამდენიმე ქვესახეობა არსებობს, რ-თაგან სსრკ-ში გვხვდება 7, საქართველოში — 1. ჩვენში კ. ი. უმთავრესად ნაკრძალებში (ბორჯომის, ლაგოდეხის) ჰყავთ. სანადირო ობიექტია. იყენებენ ხორცს, ტყავს, რქებს (პანტებს). აკლიმატიზებულია ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, არგენტინასა და ჩილეში. სსრკ-ში ზოგიერთ ადგილას მასზე ნადირობა აკრძალულია.

რ. ავალლიანი.

კეთილშობილი ლითონები, *ოქრო, ვერცხლი, პლატინა, პლატინის ჯგუფის ლითონები* (ირიდიუმი, ოსმიუმი, პალადიუმი, როდიუმი, რუთენიუმი). სახელწ. მაღალი ქიმ. მდგრადობისა და ნაკეთობათა ლამაზი შესახედაობის გამო მიიღეს. გარდა ამისა, ოქრო, ვერცხლი და პლატინა მაღალპლასტიკური ლითონებია, ხოლო პლატინის ჯგუფის ლითონები — ძნელდნობადნი. მაღალი სისუფთავის მქონე კ. ლ-ს ღებულობენ *აფინაჟით*. კ. ლ-მა, უმთავრესად კი ოქრომ, შეინარჩუნა საკალუტო ფუნქციები (იხ. *ფული*). ამ ლითონებს იყენებენ აგრეთვე ქიმ. მანქანათმშენებლობასა და ლაბორ. ტექნიკაში, ელექტროტექნიკაში, მედიცინაში, ფოტოკინოწარმოებაში, საიუველირო საქმეში, სხვა ლითონების დასაფარავად, კატალიზატორებად და ა. შ.

კეთილშობილი (წითელი) მარჯანი (Corallium rubrum), ნაწლავღრუიანი ცხოველი *მარჯნის პოლიპების* კლასისა. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში, 100—200 *მ* სიღრმეზე. ქმნის დატოტვილ კოლონიებს, რ-ებიც მჭიდროდაა მიმაგრებული კლდოვან გრუნტზე. თვითონ პოლიპი თეთრია, აქვს 8 ბუმბულისებრი საცეცი, წითელი კიროვანი სხეულაკებისაგან (სპიკულებისაგან) შემდგარი შინაგანი ჩონჩხი, რ-ისაგანაც ამზადებენ სამკაულებს — მძივებს, სამაჯურებსა და სხვ.

კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტები, დახურული ტიპის პრივილეგიური სასწავლებლები თავადაზნაურთა ქალიშვილებისათვის რევოლუციამდელ რუსეთში. პირველი ასეთი ინ-ტი 1764 გაიხსნა პეტერბურგში (შემდგომ—*სმოლნის ინსტიტუტი*), ხოლო XIX ს. I ნახევარში — მოსკოვში, ხარკოვში, ოდესაში, კიევში, ორენბურგში, ქერჩში, ნოვოჩერკასკში, თბილისში (იხ. *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი*) და სხვა საგუბერნიო ქ-ებში. კ. ქ. ი., როგორც ყველა სხვა წოდებრივი სასწავლებელი, გაუქმდა ოქტ. რევ. შემდეგ.

ვ. გაგუა.

კეთრი, ლეპრა (ბერძნ. lepra), ადამიანის ქრონიკული ინფექციური დაავადება. იწვევს ჰანსენის ბაციცა Mycobacterium Leprae, რ-იც 1871 აღმოაჩინა ნორვ. ექიმმა გ. ჰანსენმა. კ. ცნობილია უძველესი დროიდან. ამჟამად განსაკუთრებით გავრცელებულია აფრიკაში, აზიაში, ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში. კ-ით დაავადებულთა საერთო რაოდენობა, 1974 მონაცემებით, 10 მლნ. აღწევდა. კ. ავადმყოფიდან ჯანმრთელ ადამიანს ხანგრძლივი მჭიდრო კონტაქტის შედეგად გადაეცემა. მიჩნეულია, რომ კ-ის გამომწვევი ორგანიზმში შეიჭრება დაზიანებული კანიდან ან ზემოსასუნთქი გზების ლორწოვანი გარსიდან. ინკუბაციური პერიოდის საშ. ხანგრძლივობაა 4—6 წელი (ზოგჯერ 10—20 და მეტი). კლინიკური გამოვლენისა და პროცესის მიმდინარეობის მიხედვით განარჩევენ კ-ის 3 ტიპს: ლეპრომატოზურს, ტუბერკულოიდურსა და არადიფერენცირებულს.

ყველაზე გადამდები და მძიმეა კ-ის ლეპრომატოზური ტიპი; ამ დროს ზიანდება კანი, ლორწოვანი გარსები, ლიმფური კვანძები, ნერვული ღეროები და შინაგანი ორგანოები. სახის, უფრო იშვიათად სხეულის სხვა ნაწილების კანში ან კანქვეშ წარმოიქმნება ამობურცული, მკვრივი, ელასტიკური კონსისტენციის თხილისოდენა მოლურჯო-მოყავისფრო შემოსაზღვრული ინფილტრატები — ე. წ. ლეპრომები, რ-თაც პრიალა ცხიმოვანი ზედაპირი აქვთ. ლეპრომების ადგილას თმა არ ამოდის, ტკივილის, ტემპ-რის და ტაქტილური შეგრძნება დაკარგულია. სახეზე ლეპრომების განვითარებისას ადამიანი „ლომის სახეს“ ღებულობს. ლეპრომები თვეების, ზოგჯერ წლების მანძილზე აქვს ავადმყოფს, შემდეგ კი ფიბროზულ ან ატროფიულ ნაწიბურად გარდაიქმნება, ანდა დაიშლება და დაწყლულდება. ლორწოვან გარსებზე ლეპრომების გაჩენამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლდენა ცხვირიდან, ცხვირის დეფორმაცია, ხრინწიანობა ან ხმის დაკარგვა, *კერატიტი, ირიდოციკლიტი;* ხშირია *ნევრიტები*.

ტუბერკულოიდური ტიპის კ. უფრო მსუბუქად მიმდინარეობს — ზიანდება კანი და ნერვული ღეროები, წვივების, თეძოებისა და სახის კანზე ჩნდება რგოლისებრი ფორმის ლაქები, რ-თაც მოყავისფრო-მოწითალო ამოწეული კიდეები აქვთ. დაზიანებულ ადგილებში დაკარგულია ტკივილის, ტემპ-რის და ტაქტილური შეგრძნება, წყდება ოფლის გამოყოფა.

კ-ის არადიფერენცირებული ტიპისათვის ძირითადად დამახასიათებელია ნევროლოგიური სიმპტომები. სიმეტრიულად ზიანდება იდაყვის, მცირე წვივის, ყურის დიდი და სხვ. ნერვები, ირღვევა ტემპ-რის, ტაქტილური და ტკივილის შეგრძნება; ზოგჯერ თავს იჩენს მოტორული და ტროფიკული (გამელოტების კერები, ფრჩხილების ატროფია და სხვ.) მოშლილობანი. შესაძლებელია არადიფერენცირებული ტიპის კ. გადაიქცეს ლეპრომატოზურ ან ტუბერკულოიდურ კ-ად. კ-ის დიაგნოზს ადასტურებს ცხვირის ლორწოვანი გარსის ანაფხეკში, ლეპრომების შიგთავსში, ლიმფური კვანძების პუნქტატში ან ჰისტოლოგიურ პრეპარატებში მიკობაქტერიების არსებობა, აგრეთვე სპეც. ფუნქციური სინჯის შედეგები.

მკურნალობა: გახანგრძლივებული მოქმედების სულფანილამიდური პრეპარატები, თიოშარდმტავას და ფენოთიაზინის წარმოებულები ზოგადგამაჯანსაღებელ საშუალებებთან ერთად, ავადმყოფის მოთავსება *ლეპროზორიუმში;* ავადმყოფთან მჭიდრო კონტაქტში მყოფ პირთა პერიოდული გამოკვლევა.

ლიტ.: Торсуев Н. А., Лепра, М., 1952.

კეილი (Cayley) ჯორჯ (27. XII. 1773, სკარბორო, იორკშირის საგრაფო, ინგლისი, — 15. XII. 1857, ბრომპტონ-ჰოლი, იორკშირის საგრაფო, ინგლისი), ინგლისელი მეცნიერი და გამომგონებელი. 1809—11 გამოაქვეყნა პლანერისა და თვითმფრინავის ფრენის პრინციპების აღწერა, მოდელებსა და დანადგარებზე თავის მიერ ჩატარებული აეროდინ. გამოკვლევების შედეგები. 1849—53 ააგო 2 პლანერი (ერთი მათგანით იფრინა ადამიანმა). დააპატენტა მუხლუხა სვლა სატრანსპ. მანქანებისათვის (1825).

კეინზი (Kyenes) ჯონ მეინარდ (5. VI. 1883, კემბრიჯი, — 21. IV. 1946, ტილტონის მამული, სასექსის საგრაფო), ინგლისელი ეკონომისტი, სახელმწიფო მოღვაწე, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონ. მიმართულების კეინზიანელობის — ფუძემდებელი. კ-მა ეკონ. და მათ. განათლება მიიღო იტონსა და კემბრიჯში (1902—06). 1908-იდან 1915-მდე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას, 1920-იდან კემბრიჯის უნ-ტის პროფესორია. 1912—46 რედაქტორობდა „Economic Journal-ს“. 1913 გამოიცა კ-ის პირველი წიგნი „ინდოეთის ფულის მიმოქცევა და ფინანსები“. შრომაში „ვერსალის საზავო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919), რ-მაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, გააკრიტიკა გამარჯვებული სახელმწიფოების ეკონ. პოლიტიკა. კ. ომის შემდგომ ევროპაში კაპიტალიზმის გადარჩენის საშუალებად თვლიდა კაპიტალ. ეკონ. სტაბილიზაციას. შემდგომი წლების შრომები ამ პრობლემის განხილვას მიუძღვნა. 1941-იდან იყო ინგლ. ბანკის ერთ-ერთი დი-

კეთილშობილი ირემი.

კეთილშობილი (წითელი) მარჯანი.

ი. კეკელიძე.

კ. კეკელიძე.

კეიპტაუნი. ქალაქის ნაწილის ხედი.

რექტორი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბრიტ. იმპერიალიზმის ეკონ., უმთავრესად კი ფინანს. პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. მის ძირითად შრომაში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) ჩამოყალიბებულია ბურჟ. სახელმწიფოს ეკონ. პრინციპები.

კეინზიანელობა, კაპიტალისტური ეკონომიკის სახელმწიფო, მონოპოლისტური რეგულირების ბურჟუაზიული თეორია. ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის რევ. თეორიას. კ-ის ძირითადი პრინციპები შეიმუშავა ინგლ. ეკონომისტმა ჯ. მ. *კეინზმა*. მისი კვლევის საგანია კვლავწარმოების კაპიტალ. პროცესის რაოდენობრივ-ფუნქციური დამოკიდებულების შესწავლა. განსაკუთრებით ვლინდება ე. წ. „ეფექტური მოთხოვნის“ კონცეფციაში, რ-იც კ-ის ცენტრ. პუნქტია. კ. უარყოფს ჟ. ბ. სეის ბაზრის კანონს Gaisser Taire, რ-ის თანახმად, საქონლის მიწოდება ავტომატურად წარმოშობს საქონელზე მოთხოვნას და უშვებს ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის რაოდენობრივი დაუმთხვევლობის, ანუ ეკონ. კრიზისების შესაძლებლობას. კ-ის მიხედვით, „ერთობლივი მოთხოვნის“ მოცულობა დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლის ბაზარსა და წარმოების საშუალებების ბაზარზე. სამომხმარებლო მოთხოვნის მოცულობა განსაზღვრულია ე. წ. „მოხმარებისადმი მიდრეკილებით“ და „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონით“. კ-ის მტკიცებით, „მოხმარებისადმი“ მიდრეკილება კლებადი სიდიდეა, რ-იც ასახულია „ძირითად ფსიქოლოგიურ კანონში“. ამ კანონის მიხედვით „...ადამიანებს, როგორც წესი, მიდრეკილება აქვთ შემოსავლის ზრდასთან ერთად გაადიდონ თავიანთი მოხმარება, მაგრამ არა იმ ზომით, რა ზომითაც მათი შემოსავალი იზრდება“. ამის შედეგად იზრდება ეროვნული შემოსავლის დაგროვებადი ნაწილი და შესაბამისი სიდიდით მცირდება მოთხოვნა სამომხმარებლო საქონელზე, ე. ი. თუ c მოხმარების სიდიდეა, ხოლო y — შემოსავალი, მაშინ $\frac{\Delta c}{\Delta y}$ დადებითი, მაგრამ 1-ზე ნაკლები სიდიდეა. ამრიგად, კეინზი კაპიტალ. ბაზრის მოცულობის შემცირების ტენდენციას ხსნის ფსიქოლ. ფაქტორებით. ამასთან დაკავშირებით, ხელფასის მომატება მიჩნეულია სამომხმარებლო მოთხოვნის შეფარდებითი შემცირების მიზეზად მაშინ, როდესაც ხელფასის ზრდა მოთხოვნის გადიდების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

კეინზის აზრით, წარმოების საშუალებათა ბაზრის მოცულობა განისაზღვრება „კაპიტალის საზღვრითი ეფექტურობისა“ და სარგებლის ნორმის თანაფარდობით. პირველში იგულისხმება ძირითადი კაპიტალის ნამატის სავარაუდო რენტაბელობა, მეორეში კი ფულადი ფორმის სიმდიდრის შეუნახველობის წახალისება. კეინზის მიხედვით, კაპიტალის დაგროვებასთან ერთად „საზღვრით ეფექტურობას“ აქვს შემცირების ტენდენცია, ხოლო სარგებლის ნორმა სტაბილური რჩება. კაპიტალდაბანდებების მომგებიანობის შემცირება კი იწვევს წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის შემცირებას და შესაბამისად ადიდებს დაუსაქმებელ მუშაკთა რაოდენობას. კ-ის მიხედვით, ეროვნ. შემოსავლის მოცულობა და ამის შესაბამისად ერთობლივი მოთხოვნა განსაზღვრულ რაოდენობრივ დამოკიდებულებაშია ინვესტიციების საერთო მოცულობასთან. ამ რაოდენობრივი კავშირის ამსახველია მულტიპლიკატორის კოეფიციენტი $\kappa = \frac{\Delta y}{\Delta I}$. იგი ($\kappa$) გვიჩვენებს თანაფარდობას შემოსავლის ნამატსა (Δy) და ინვესტიციის ნამატს (ΔI) შორის. კეინზის მტკიცებით ახ. კაპიტალდაბანდების შედეგად მიღებული შემოსავლის ნამატი ინვესტიციის პირველადი ნამატისა და „მულტიპლიკატორის“ ნამრავლის ტოლია, ანუ $\Delta y = \Delta I k$.

კეინზური მულტიპლიკატორი პირდაპირ არის დამოკიდებული ეროვნ. შემოსავლის მატებასთან და უკუპროპორციულია შესაბამისი პერიოდის ინვესტიციის ნამატისა. მულტიპლიკატორის სიდიდე დაკავშირებულია „მოხმარებისადმი საზღვრით მიდრეკილებასთან“: $1-\frac{1}{k} = \frac{\Delta c}{\Delta y}$, აქედან გამოყვანილია მულტიპლიკატორის ფორმულა: $\kappa = \frac{1}{1-\frac{\Delta c}{\Delta y}} = \frac{1}{\frac{\Delta I}{\Delta y}} = \frac{\Delta y}{\Delta I}$, სადაც Δy შემოსავლის, ხოლო ΔI ინვესტიციის ნამატია. კეინზის აზრით, ეს ფორმულა იძლევა დარგთაშორისი ეკონ. კავშირის მულტიპლიკაციური ეფექტის ყველაზე ზოგად მათ. გამოსახვას. ამასთან კეინზმა გადამეტებით შეაფასა სამომხმარებლო ბაზრის როლი. სინამდვილეში ინვესტიციის ზრდა, პირველ რიგში, აფართოებს წარმოების საშუალებების ბაზარს, ამასთან, კეინზი უგულებელყოფს ტექ. პროგრესის როლს, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ წარმოების გაფართოება შესაძლებელია დამატებითი მუშახელის გარეშეც. გარდა ამისა, მულტიპლიკატორის თეორია ვერ ხსნის ინვესტიციის სიდიდესა და ეროვნ. შემოსავლის მოცულობას შორის მიზეზობრივ-შედეგობრივ დამოკიდებულებას. ინვესტიცია ეროვნ. შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა და არა მისი წყარო. მიუხედავად ამისა, მულტიპლიკატორის თეორია კაპიტალ. ეკონ. სახელმწ. მონოპ. რეგულირების ძირითადი კონცეფციაა, რ-იც სახელმწ. ბიუჯეტის ხარჯების სისტემატურ ზრდას მიიჩნევს „ეფექტური მოთხოვნის“ ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს პირობად.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 31, 33; ბერაძე ს., კეინსი — იმპერიალიზმის აპოლოგეტი, თბ., 1956; ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1—4, თბ., 1962—69; Кейнс Дж. М., Общая теория занятности процента и денег, М., 1948, с. 99; Осадчая И. М., Современное кейнсианство, М., 1971.

ჯ. კახნიაშვილი.

კეიპ-იორკი (Cape York), ნახევარკუნძული ავსტრალიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მარჯნის ზღვასა და კარპენტარიის ყურეს შორის. გადაჭიმულია ჩრდ-იდან სამხრეთ 600 *კმ* მეტ მანძილზე. აღმ. ნაწილი მთაგორიანია (სიმაღლე 555 *მ*-მდე), დას.-დაბალი. გავრცელებულია ევკალიპტის ტყეები, აღმ. ნაწილში მარადმწვანე ნოტიო ტროპ. ტყეებია. ბოქსიტების დამუშავება, ოქროს, ტყვიის მოპოვება. ნავსადგური — პორტ-სტიუარტი.

კეიპ-კოსტი (Cape Coast), ქალაქი განაში, ცენტრ. ოლქის ადმ. ცენტრი. 71,6 ათ. მცხ. (1970). ნავსადგური გვინეის ყურის ნაპირზე. გააქვთ კაკაო-მარცვალი. კვების მრეწვ. საწარმოები. თევზჭერა. უნტის კოლეჯი. ქალაქი დაარსდა 1652.

კეიპტაუნი (ინგლ. Capetown<cape — კონცხი და town — ქალაქი), კაფსტადი (აფრიკაანსულად Kaapstad<kaap — კონცხი და stad — ქალაქი), ქალაქი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკის სამხრ.-დას. ნაწილში, კეთილი იმედის კონცხის მახლობლად. კაპის პროვ. ადმ. ცენტრი. ქვეყნის პარლამენტის რეზიდენცია. 1,1 მლნ. მცხ. (1976). ქალაქი დაარსა ჰოლანდ. ოსტინდოეთის კომპანიამ 1652. იყო კაპის კოლონიის ადმ. ცენტრი. 1806 დაიპყრეს ინგლისელებმა, სამხრ. აფრ. კავშირის შექმნის (1910) შემდეგ კაპის პროვ. შემადგენლობაში.

კ. სარკინიგზო და საავტ. გზების დიდი კვანძი, აფრ. ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური და სამხრ. აფრ. რესპ. დამუშავებითი მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრია. არის ლითონდასამუშ., გემთსაშენი და გემთსარემონტო, ვაგონთსაშენი, ნავთობგადასამუშ. და ავტოსაამწყობო მრეწველობა, აგრეთვე — ცემენტის, საფეიქრო, საკონსერვო წარმოება, ალმასის დაწახნაგება, ხე-ტყის დამუშავება, მეღვინეობა და სხვ. კ. უცხ. ვეშაპთსაჭერი ფლოტილიების ბაზაა. ნავსადგურში არის ნავთობსაცავები, ელევატორები, მაცივრები. გააქვთ მატყლი, ტყავი, ხილი, სიმინდი, ალმასი, ოქრო; შეაქვთ ნავთობპროდუქტები, ხე-ტყე, სასუქი.

კეისი (Kayes), ქალაქი დას. მალიში, კეისის ოლქის ადმ. ცენტრი. 34 ათ. მცხ. (1976). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ნავსადგური მდ. სენეგალის ნაპირზე. სას.-სამ. რ-ნის (ფეტვი, სორგო, არაქისი, მეცხოველეობა) სავაჭრო ცენტრი. ჰესი (კ-ის მახლობლად).

„კეისრული“, დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ფართოდ გავრცელებული პოლიფონიური (სამხმიანი) მხნე, ომახიანი სიმღერა. ასრულებს მამაკაცთა გუნდი. ხმათა რთული კონტრაპუნქტული შეხამებით, მკეთრი რიტმით, „კ.“ ლაშქრულს ჩამოგავს. *გ. ჩხიკვაძე.*

კეისტუტისი (გ. 1382), *გედიმინასის* ვაჟი, ტრაკაისა და ჟემაიტის მთავარი, იყო უფროსი ძმის, ლიტვის დიდი მთავრის *ალგირდასის* თანამმართველი; მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიტვ. ხალხის ბრძოლაში ტევტონთა ორდენის აგრესიის წინააღმდეგ. კ. მონაწილეობდა ალგირდასის ლაშქრობებში რუს. მიწებზე. 1381 აუჯანყდა ალგირდასის ვაჟს — იაგელოს, რ-იც თანამშრომლობდა ტევტონთა ორდენთან. 1382 იაგელოს ბრძანებით კ. მოკლეს.

კეიტონიალეები (Caiytoniales), ნამარხ შიშველთესლოვან მცენარეთა რიგი. ფართოდ იყო გავრცელებული ტრიასული პერიოდის II ნახევრიდან ცარცულის ბოლომდე. ჰქონდათ თათისებრ რთული ფოთოლი, რ-იც 4 ლანცეტა ფოთოლაკისაგან შედგებოდა. კუპულა ნასკვს წააგავდა და 2 მწკრივად იყო განლაგებული ღერძზე. იგი 6—12 თესლკვირტს შეიცავდა. ზოგში მტვრის მარცვლები აღმოჩნდა, რ-საც 2 საჰაერო ბუშტი ჰქონდა. კ. სანაპირო წყლების პატარა მცენარეები იყო.

**კეკა

в. Подготовка текста, введение, пер., коммент. Г. Г. Литаврина, М., 1972.

ნ. ლომოური.

კეკელიძე ივანე გრიგოლის ძე [18 (31). X. 1903, სოფ. ტობანიერი, ახლანდ. ვანის რ-ნი, — 2. XI. 1973, თბილისი], ქართველი საბჭ. მეტალურგი. სკკპ წევრი 1939-იდან. დაამთავრა ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტი (1931). მანგანუმიანი შენადნობების გამოდნობის ახ. ტექნოლ. დამუშავების და დანერგვისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1951). საქ. სსრ IV—V მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე [18 (30). IV. 1879, სოფ. ტობანიერი, ვანის რ-ნი,—7. VI. 1962, თბილისი], ქართველი საბჭ. ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში. 1904 დაამთავრა კიევის სას. აკადემია. 1905—06 მასწავლებლობდა ქუთაისსა და თბილისში. მონაწილეობდა საეკლ. მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუშაობაში. 1916 დაინიშნა თბილ. სას. სემინარიის რექტორად. კ. იყო *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის* ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრას. 1919—25 სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის დეკანი, ხოლო 1926—30 სასწ.-სამეცნ. ნაწილის პროორექტორი იყო. 1921—30 ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს, 1933—36 — ქუთ. პედ. ინ-ტის ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრას. 1942—49 განაგებდა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტს. სხვადასხვა დროს იყო განათლების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი და სახელმწ. სამეცნ. საბჭოს თავ-რის მოადგილე; საქართვ. და ამიერკავკ. ცაკის წევრი (1927, 1929).

კ-ის პირველი სამეცნ. ნაშრომი „ახალი საგალობლები აბო თბილელისა" 1905 ჟურნ. „მწყემსში" (№ 13, 14) დაიბეჭდა. 1907 გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომისათვის „ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა" (რუს. ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში, 1908) მიენიჭა მაგისტრის სამეცნ. ხარისხი.

1905—12 თანამშრომლობდა „კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში", 1912—17 რუსეთის მეცნ. აკად. ორგანოში — „ქრისტიანული აღმოსავლეთი". სამეცნ. ასპარეზზე გამოსვლისთანავე კ-ს მძიმე შავი სამუშაოს შესრულება მოუხდა არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში; მან დიდი ამაგი დასდო ქართ. ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. ძვ. ქართ. ლიტ. მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ჯერ სრულიად ხელუხლებელი იყო. კ-ის აფრინდ. სამეცნ. ნაშრომებმა („იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა", რუს. ენაზე, 1912, მ. ნ. ახმატოვის სახ. პრემია; „ძველი ქართული არქიერატიკონი", რუს. ენაზე, 1912) ბევრ რუს და უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართ. მწიგნობრობისადმი. კ-მ მეცნიერულად აღწერა გელათში (1905) და სვანეთში (1911) დაცული ქართ. ხელნაწერები. 1948—54 გამოქვეყნდა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი კ-ის საერთო რედაქციით. განუზომელია კ-ის ღვაწლი ტექსტოლოგიაში: 1918 და 1946 გამოსცა ქართ. ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული (პ. პეეტერსმა აქ გამოქვეყნებული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურად თარგმნა), 1930 — ნ. ციციშვილის „შვიდი მთიები", 1935 — იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება" და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", 1936 და 1948 — იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938 — „ვისრამიანი" (თანარედაქტორები ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა), 1941 — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და სხვ.

კ-ის დიდმა ერუდიციამ, ძვ. ქართ. მწერლობის როგორც ზოგად, ისე ვიწრო სპეც. საკითხებში ღრმა განსწავლულობამ განაპირობა ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923—60 გამოიცა ოთხჯერ). ორტომეულის საფუძველზე კ-მ შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი" (რუს. ენაზე, 1938). 1955 რომში გერმ. ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კ-ის ორტომეულის I ტომი.

კ-მ თავიდანვე განსაზღვრა ძვ. ქართ. ლიტ-რის შესწავლის დიდი მნიშვნელობა როგორც საკუთრივ ქართ. კულტ. ისტორიის, ისე მსოფლიო საქრისტიანო კულტ. ისტორიის თვალსაზრისით. იგი იკვლევდა ქართ.-ბიზანტ., ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობებს, ძვ. ქართ. ლიტ-რისა და ხალხ. სიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხებს. კ-მ დიდი ამაგი დასდო ქართ. ისტორიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო გამოკვლევები ძვ. ქართ. დამწერლობის, ქართ. წელთაღრიცხვისა და კალენდრის, ძვ. ქართ. სტამბისა და ქართ. წიგნის ბეჭდვის ისტორიის, ძვ. ქართ. ლიტ-რაში მთარგმნელობითი მეთოდისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მისმა ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართ. ფილოლ. მეცნიერების პრესტიჟი მთელ მსოფლიოში. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართვ. მეცნიერთა კადრების აღზრდაშიც. კ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 2 შრომის წითელი დროშის ორდენით.

თხზ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ 1—13, თბ , 1945—74; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1—2, თბ., 1960, 1958.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ჩვენი დიდი მეცნიერი, თბ., 1979, დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს ყუბანეიშვილმა, თბ., 1965; კორნელი კეკელიძეს დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად. [კრებული], თბ., 1959; კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინა რ. კაკილაძემ, თბ., 1979; კორნელი კეკელიძე (1879—1962). ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ს. ყუბანეიშვილი, ე. დოლიძე, თბ , 1979. *ა. ბარამიძე.*

კეკელიძე მიხეილ ალექსის ძე [26. VII (8. VIII). 1911, სოფ. ზემო სურები, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი, — 12. III. 1973, თბილისი], ქართველი საბჭ. მეტალურგი, ტექ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა საქ. ინდუსტრ. ინ-ტის ქიმ.-ტექნოლ. ფაკ-ტი (1937). მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში (1937—38), საქ. სსრ მეცნ. აკად. ქიმ. ინ-ტში (1938—41), საქ. სსრ მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტში (1945—51), საქ. სსრ მეცნ. აკად. მეტალ. ინ-ტში პირომეტალ. ლაბორ. ხელმძღვანელად (1951—73) და დირექტორის მოადგილედ სამეცნ. ნაწილში (1957—69). კ-ის ნაშრომები ეხება სსრკ მანგანუმისა და რკინის მადნების შესწავლას და წარმოებაში მათი გამოყენების საკითხებს, აგრეთვე ფეროშენადნობთა წარმოების პროგრ. ტექნოლ. სქემების დამუშავებას. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

კეკელიძე პროკლე ლევარსის ძე (დ. 15. III. 1905, სოფ. იანეული, ახლანდ. ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1956-იდან თსუ-ის ახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრის გამგეა. კ-ის ძირითადი გამოკვლევებია: „ქართული ენის სწავლების საკითხები საშუალო სკოლაში" (1952), „აკაკი წერეთელი" (1953), „აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები" (1961).

კეკონენი (Kekkonen) ურჰო კალევა (დ. 3. IX. 1900, პიელავესი), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1936). მოსკ. სახელმწ. უნ-ტის იურიდ. მეცნ. საპატიო დოქტორი (1958). 1936—56 პარლამენტის დეპუტატი. 1926-იდან 1956-მდე აგრარული კავშირის (1965-იდან ცენტრის პარტია) პარტიის წევრი, მისი ერთ-ერთი ლიდერი. 1936—37, 1944—46 იუსტიციის მინისტრი. 1937—39, 1950—51 შინაგან საქმეთა მინისტრი. 1946—47 პარლამენტის ვიცე-თავ-რე, 1948—50 — თავ-რე. 1950—56 რამდენჯერმე ეკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი. 1952—53, 1954 საგარეო საქმეთა მინისტრი. 1956-იდან ფინ. რესპ პრეზიდენტი. *პაასიკივისთან* ერთად არის ომისშემდგომი მშვიდობიანი საგარეო-პოლიტ. კურსის ინიციატორი, რ-იც მიმართულია სსრკ-თან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისაკენ. 1963 მაისში წამოაყენა ჩრდ. ევროპის უატომო ზონად გადაქცევის წინადადება. მონაწილეობდა სსრკ-სა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადებაში (1948). „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი (1980). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ხალხთა მეგობრობის ორდენით.

უ. კ. კეკონენი.

ფ. ა. კეკულე.

კეკულე (Kekule) ფრიდრიხ ავგუსტ [7. IX. 1829, დარმშტადტი, — 13. VII. 1896, ბონი], გერმანელი ქიმიკოსი. 1856—58 ჰაიდელბერგის უნ-ტის პრივატ-დოცენტი; 1858-იდან გენტის (ბელგია) უნ-ტის, ხოლო 1865-იდან ბონის უნ-ტის პროფესორი; 1886-იდან გერმ. ქიმ. საზ-ბის პრეზიდენტი. 1854 მიიღო თიოძმარმჟავა, 1856 — გლიკოლმჟავა, 1872 — ტრიფენილმეთანი და ანთრაქინონი. მისი ძირითადი შრომები ეხება თეორიულ ქიმიას. 1854 მან პირველმა გამოთქვა იდეა გოგირდისა და ჟანგბადის „ორფუძიანობის" (ანუ ორვალენტოვნების) შესახებ. 1857 ელემენტები დაყო ერთ-, ორ- და სამფუძიანებად. ა. კოლბესთან ერთად ნახშირბადი განსაზღვრა როგორც ოთხფუძიანი ელემენტი და მიუთითა (ა. კუპერთან ერთად) ნახშირბადის ატომების ერთმანეთთან დაკავშირების უნარზე, რაც ორგ. ქიმ. საფუძველს წარმოადგენს. კ-მ პირველმა მოგვცა *ბენზოლის* მოლეკულის ციკლური ფორმულა (1865).

ლიტ.: Б ы к о в Г. В., Август Кекуле. Очерк жизни и деятельности. М., 1964.

კელაპტარა (Orobanche), მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი უქლოროფილო მცენარეების გვარი კელაპტარასებრთა ოჯახისა. ღეროს სიმაღლე 50 *სმ* აღწევს. ფესვები გადაქცეული აქვთ მოკლე ხორცოვან მისაწოვრებად — ჰაუსტორიებად, რითაც ისინი ეხებიან პატრონი მცენარის ფესვებს და იჭრებიან შიგნით. გვარში 150-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპ. სარტყელში. სსრკ სამხრ. რ-ნებში 80-მდე სახეობა იზრდება; საქართველოში — 28. კ-ს ბეჯრი სახეობა საშიში, ძნელად მოსაშორებელი პარაზიტი სარეველაა. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა ს კ-ს, რ-იც პამიდორსა და თამბაქოსაც აზიანებს; დ ა ტ ო ტ ვ ი ლ ი კ. ვნებს უფრო კანაფს და თამბაქოს; კ ო მ ბ ო ს ტ ო ს კ. — კომბოსტოს, პამიდორს, თამბაქოს; ე გ ვ ი პ ტ უ რ ი კ. — საზამთროს, ნესვს, გოგრას; ყ ვ ი თ ე ლ ი კ. — იონჯას. კ. მცენარეს

კელაპტარა: 1—მზესუმზირას კელაპტარა; 2—დატოტვილი კელაპტარა.

კელასურის მღვიმე.

მ. კელდიში.

მ. კელენჯერიძე.

ართმევს წყალსა და საკვებ ნივთიერებებს. მისგან დაავადებული მცენარე ჭკნება და კვდება. ბრძოლის ღონისძიებანი: გამძლე მცენარეთა შერჩევა, თესლბრუნვა, ნიადაგის ღრმად (20 *სმ*) დამუშავება, ჰერბიციდების გამოყენება და სხვ.

კელასური, მდინარე აფხ. ასსრ-ში. სათავე აქვს ბზიფის ქედის სამხრ. კალთაზე. ხიმსის მყინვარზე, 2582 *მ* სიმაღლეზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. კელასურთან. სიგრძე 42 *კმ*, აუზის ფართ. 220 *კმ*². საზრდოობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე—ინტენსიური წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნა. წყალმცირეა ზამთარში. საშ. მრავალწლ. ხარჯი შესართავთან 13,2 *მ*³/*წმ*. ზღვაში წლიურად შეაქვს 420 მლნ. *მ*³ წყალი. ქვემო დინებაში კ-ის მარცხ. ნაპირიდან წყლის ნაწილი გადის მიწისქვეშა კარსტული ნაპრალით და გამოდის მდ. ბესლეთის სათავეში მძლავრ წყაროებად. 1978 შესართავიდან 13 *კმ*-ზე კლდეზვავმა გადაგუბა მდინარე და წარმოშვა ტბა, რ-ის ფართ. დაახლ. 3 *ჰა*, უდიდესი სიღრმე 21 *მ*. *ი. აფხაზავა.*

კელასური, სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში (მაჭარის სოფსაბჭო), მდ. კელასურის ხეობაში. ზ. დ. 360 *მ*, გულრიფშიდან 3 *კმ*. ი. ჭავჭავაძის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). სოხუმის ზონალური ეთერზეთოვანი კულტურის საცდელი სადგური. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კელასური, სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში (წებელდის სოფსაბჭო), აფხაზეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. კელასურის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, გულრიფშიდან 42 *კმ*. წებელდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. აბლუხვარაში (6 *კმ*).

კელასური (ყოფ. ეკატერინოვკა), სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში, მდ. კელასურის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., აკაფა, ბირჯა, გვარდა, ლეკუხონა, ლინდა). ზ. დ. 240 *მ*, სოხუმიდან 11 *კმ*. კოლ-ბა „წინსვლა" (მეთამბაქოეობა). დაწყ., საშ. და საღამოს (ცვლიანი) სკოლები, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კელასური, სოფელი აფხ. ასსრ სოხუმის რ-ნში (ახალსოფლის სოფსაბჭო), მდ. კელასურის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 22 *მ*, სოხუმიდან 5 *კმ*. ი. მიჩურინის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეხილეობა). საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტი. საშ. სკოლა სოხუმში. ტურბაზა.

სახელწ. „კ.", „კლისურა" ბერძნ. წარმოშობისაა და ნიშნავს გასასვლელ ადგილს, ვიწრობს. ქართ. ისტ. წყაროებიდან მოხსენიებულია ჯუანშერის თხზულებაში ორჯერ — ჯერ V ს. უკანასკნელი მეოთხედის, შემდეგ კი VIII ს. დასაწყ. ამბებთან დაკავშირებით როგორც „ზღუდე კლისურისა". კ-ში ზღვის ნაპირზე შემორჩენილია *კელასურის კედლის* ნაწილი.

სოფლის მახლობლად, მდ. კელასურის მარცხ. ნაპირას, აღმოჩენილი და შესწავლილია (1935—38, ხელმძღვ. ს. ზამიატნინი) მუსტიეს ხანის ღია ტიპის ძეგლი. მიწის ზედაპირზე შეგროვებულია მუსტიეური წვეტანები, ლევალუაზური წვეტანები, სახოკები, ორმხრივ დამუშავებული დისკოსებრი იარაღი, ანატკეცები, აგრეთვე დისკოიდალური და ერთფუძიანი ნუკლეუსები, ანატკეც-ლამელები და წარმოების სხვა ნარჩენები, ნედლ მასალად გამოყენებულია აფხ. პალეოლითური ძეგლებისათვის დამახასიათებელი მონაცრისფრო კაჟი. მასალა დაცულია ლენინგრ. ანთროპოლ. და ეთნოგრ. მუზეუმში. მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიაში (ილსკის ნამოსახლარი).

ლიტ.: Замятнин С. Н., Очерки по палеолиту, М.—Л., 1961; Месиэ, Палеолит Абхазии, «Труды Ин-та абхазской культуры», 1937, в. 10.

თ. ბერაძე. დ. თუშაბრამიშვილი.

კელასურის კედელი, აფხაზეთის დიდი კედელი, ქართ. საისტორიო მწერლობაში, ჯუანშერის თხზულებაში, VIII ს. ამბებთან დაკავშირებით ნახსენებია „ზღუდე კლისურისა", რ-იც ჩრდ. კავკასიიდან შავიზღვისპირეთში მიმავალ გზებს ამაგრებდა, იდგა ჩრდ. კავკასიიდან დას. საქართველოში მიმავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე, რ-იც უშუალოდ შავი ზღვის აღმ. სანაპიროს მიუყვებოდა. VIII ს. დასასრულიდან, აფხაზთა სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ზღუდემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და თანდაათან დაინგრა. მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შემორჩენილია ლევან II დადიანის მიერ აფხაზი ფეოდალების შემოსევების შესაჩერებლად XVII ს-ში აგებული სასიმაგრო ნაგებობათა სისტემა (საერთო სიგრძე 60 *კმ*.). კედელი იწყება მდ. კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხ. ნაპირს, შემდეგ უხვევს ჩრდ.-აღმ-კენ და ფანავის ქედის ძირის სამხრ. მხრიდან გრძელდება მდ. ღალიძგის ხეობაში. ჯ. კ. ერთმანეთთან კოშკებით დაკავშირებული ცალკეული სასიმაგრო ნაგებობებია (კოშკების სისტემა, ზოგჯერ ცალ-ცალკე კოშკები და კედლები). ზღუდით გამაგრებულია მხოლოდ ვიწრო გადმოსასვლელები საკუთრივ აფხაზეთიდან, დალიდან და წებელდიდან. ლევან II დადიანმა საგანგებო ღონისძიებანი გაატარა კ. კ-ის დასაცავად, მაგ., ყოველი ფეოდალი (სასულიერო ან საერო) ვალდებული იყო წელიწადში 1 თვე თავისი მხედრებით ემორიგება. ლევან II დადიანის სიკვდილის შემდეგ კ. კ. მიატოვეს. როცა აფხაზმა ფეოდალებმა ძალაუფლება მდ. ენგურამდე გაავრცელეს, კ. კ-მა თავისი ფუნქცია დაკარგა. *თ. ბერაძე.*

კელასურის მღვიმოვანი, კარსტული მღვიმოვანი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში, მდ-ებს კელასურსა და მაჭარას შუა მთისწინეთში, სოფ. კელასურის ჩრდ.-აღმ-ით. ზ. დ. 190 *მ*, მდინარის დონიდან 1—2 *მ*. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. აერთიანებს ერთი მეორესთან მიჯრით განლაგებულ და ერთმანეთთან დაკავშირებულ მდ. კელასურის ფსკერქვეშა მღვიმეებს, რ-ებიც შედგება ვერტ. და სუბპორიზ. მონაკვეთებისაგან. მიწისქვეშა გამდინარე ნაკადები ასაზრდოებს ბესლეთის წყაროებს. მღვიმოვანის ჯამური სიგრძეა 1380 *მ*, I მღვიმის სიღრმე — 80 *მ*. მღვიმე ეპიზოდურად წყლით ივსება. ჰაერის ტემპ-რა ბოლო დარბაზში 12°C. *ზ. ტინტილოზოვი.*

კელგარი (Calgary), ქალაქი სამხრ. კანადაში, ალბერტის პროვინციაში, კლდოვანი მთების მთისწინეთში. 487,6 ათ. მცხ. (1977). სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. ქვეყნის მნიშვნელოვანი სატრანსპ., სამრეწვ. და სავაჭრო (მარცვლეული, საქონელი) ცენტრი. გაიზარდა ნავთობის მრეწვ. განვითარებასთან დაკავშირებით. ნავთობის გადამუშავება, ნავთობქიმ., კვების (უმთავრესად ხორცის), მანქანათსაშ., ქიმ. მრეწველობა.

კელდიში ლეონიდ ვენიამინის ძე (დ. 7. IV. 1931, მოსკოვი), საბჭ. ფიზიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1976). მოსკ. სახელმწ. უნ-ტის დამთავრების (1954) შემდეგ მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. პ. ლებედევის სახ. ფიზ. ინ-ტში. მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (1969-იდან). კ-ის უმთავრესი შრომები შეეხება მყარი სხეულების ფიზიკას. 1974 მიენიჭა ლენინური პრემია ნახევრად გამტართა ფიზიკაში თეორ. შრომების ციკლისათვის (გვირაბული ეფექტი, ნახევრად გამტარები ძლიერ ელექტრულ ველში, მრავალფოტონიანი პროცესები მყარ სხეულში).

თხზ.: Коллективные свойства экситонов в полупроводниках, «Журнал экспериментальной и теоретической физики», 1968, т 54, в. 3 (თანაავტ.: А. Н Козлов)

კელდიში მსტისლავ ვსევოლოდის ძე [28. I (10. II). 1911, რიგა, — 24. VI. 1978, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი მათემატიკისა და მექანიკის დარგში. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), 1953-იდან აკად. პრეზიდიუმის წევრი, 1960—61 ვიცეპრეზიდენტი, 1961—75 პრეზიდენტი. სოციალ. შრომის გმირი (1956, 1961, 1971). სკკპ წევრი 1949-იდან. მოსკ. უნ-ტის დამთავრების (1931) შემდეგ მუშაობდა ცაგში (ცენტრ. აეროჰიდროდინ. ინ-ტში), მოსკ. უნ-ტში (პროფესორი 1937-იდან), სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში, სსრკ მეცნ. აკად. გამოყენებითი მათ. ინ-ტის დირექტორად (1953-იდან).

კ-ს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა მათემატიკაში, გამოთვლითს მათემატიკაში, აეროჰიდროდინამიკაში, რხევის თეორიაში. დიდი წვლილი შეიტანა ავიაციის, ატომური და კოსმ. ტექ. აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. კ-ის შრომების დიდი ციკლი მიეძღვნა საავიაციო კონსტრუქციების რხევებსა და ავტორხევებს. ამ შრომებში დამუშავებულია თვითმფრინავის ფლატერის თეორია. მას ეკუთვნის ამწევი ძალის შესახებ *ჟუკოვსკის თეორემის* განზოგადება. კ-ს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული სითხის ზედაპირის ქვეშ მოძრავი სხეულის ჰიდროდინამიკაში, დარტყმის თეორიაში, მერხევი ფრთის თეორიასა და ხრახნის თეორიაში. მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ნამდვილი ცვლადისა და კომპლ. ცვლადის ფუნქციათა თეორიაში, კერძოწარმოებულიან განტოლებებში, ფუნქციონალურ ანალიზში.

კ. იყო უცხოეთის მრავალი აკადემიის წევრი. საქ. სსრ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1974). დელეგატი სკკპ XXII—XXIV ყრილობებისა, რ-ებზედაც არჩეული იყო სკკპ ცენტრ. კომიტეტის წევრად. სსრკ VI—IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სახელმწ. პრემიისა (1942, 1946) და ლენინური პრემიის (1957) ლაურეატი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით და 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებითა და 4 უცხოური ორდენით.

ლიტ.: Мстислав Всеволодович Келдыш (к шестидесятилетию со дня рождения), «Успехи математических наук», 1971, т. 26, в. 4 (160), с. 3—14.

კელენჯერიძე მელიტონ სპირიდონის ძე (5. II. 1864, სოფ. ტაბაკინი, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი, — 15. VIII. 1942, თბილისი), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. სწავლობდა თბილ. სას. სემინარიაში. კიევის სას. აკად. დამთავრების (1894) შემდეგ მასწავლებლობდა ქუთაისსა და ფოთში. იკვლევდა ხალხ. ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. 1893—94 ჟურნ. „მოამბეში" დაიბეჭდა მისი ნაშრომი „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა" (ცალკე წიგნად — 1896, ქუთაისი); 1915 გამოსცა ხალხ. ზღაპრების, აფორიზმებისა და გამოცანების კრებ. შეადგინა სახელმძღვანელოები სკოლებისათვის: „სიტყვიერების თეორია", „ქართული ქრესტომათია", „ქართული ენის გრამატიკა" და სხვ. კ. ავტორია გამოკვლევებისა ქართ. ეკლესიის ისტორიიდან: „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა" (1913), „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია" (1918), „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე" (რუს. ენაზე, 1906) და სხვ.

ლიტ.: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. 3, თბ., 1968.

კელერაში (Călăraşi), ქალაქი სამხრ.-აღმ. რუმინეთში, იალომიცის ჟუდეცში, ნავსადგური დუნაის ფშანზე (ბორჩა).

30 ათ. მცხ. (1977), კვების, სამკერვალო, ცელულოზის მრეწველობა.

კელერი ბორის ალექსანდრეს ძე [16 (28). VIII. 1874, პეტერბურგი, — 29. X. 1945, მოსკოვი], საბჭ. ბოტანიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. (1931) და სოფ. მეურნ. მეცნ. საკავშ. აკად. (1935) აკადემიკოსი. სკკპ წევრი 1930-იდან. სსრკ მეცნ. აკად. თურქმ. ფილიალის თავ-რე (1941—45). შეისწავლა გვალვა- და მარილგამძლე მცენარეთა ეკოლოგია. გამოყო ველისა და უდაბნოს მცენარეულობის ტიპები. შემოიღო ნახევრად უდაბნოს და სხვ. ცნებები. დაამუშავა გეობოტან. კვლევის ახ. მეთოდები. დაჯილდოებულია 2 ორდენით.

ლიტ.: Русские ботаники. Биографо-библиографический словарь, сост. С. Ю. Липшиц, т. 4, М., 1952, с. 127—140.

კელერი (Keller) გოტფრიდ (19. VII. 1819, ციურიხი, — 15. VII. 1890, იქვე), შვეიცარიელი მწერალი. კრიტ. რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. წერდა გერმ. ენაზე. ფოიერბახის მატერიალ. ფილოს. გავლენით კ-მა ზურგი აქცია რომანტ. სუბიექტივიზმს და ამქვეყნიური ცხოვრების „განუმეორებელი მრავალფეროვნების" მეხოტბედ იქცა. მის შემოქმედებას ახასიათებს გადმოცემის უშუალობა, მხატვრული სახეების პლასტიკურობა და გამომსახველობა; ხალასი იუმორი, შეხედულებათა დემოკრატიზმი და ოპტიმიზმი. კ-ის რწმენა სოც. მანკიერებათაგან განკურნებისა მის უტოპიურ შეხედულებებსა და პატრიარქალურ იდეალებს ეფუძნებოდა. კ-ის მთავარი ნაწარმოებია გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის" მიბაძვით დაწერილი აღზრდის რომანი „მწვანე პაინრიხი" (I რედ. 1854—55, II — 1879—80); საყურადღებოა ნოველათა კრებ. „ზელდვილელნი" (ტ. 1—2, 1856—74). „ციურიხულ ნოველებში" (1878) კ. შეეცადა ეჩვენებინა „პოზიტიური" ცხოვრებისა და საზ. და კერძო ინტერესების შეთანხმებული თანაარსებობა.

თხზ.: Sämtliche Werke, Bd. 1—8, B., 1958; ზელდვილელნი. [წინასიტყვ. და კომენტ. ო. ჯინორიასი], თბ., 1961.

ლიტ.: Банникова Н. П., Творчество Готфрида Келлера и становление метода критического реализма во второй половине XIX в., წგნ.: Литература Швейцарии, М., 1969. *რ. ყარალაშვილი.*

კელერი (Köhler) ვოლფგანგ (21. I. 1887, ტალინი, — 11. VI. 1967, ლებანონი, ნიუ-ჰემფშირი), გერმანელი ფსიქოლოგი. *გეშტალტფსიქოლოგიის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფსიქოლ. და ფილოს. პროფესორი გეტინგენისა და ბერლინის (1922-იდან) უნ-ტებში. ფსიქოლ. ინ-ტის დირექტორი ბერლინში. 1935-იდან აშშ-შია. დიდი დამსახურება მიუძღვის ტრადიციული ფსიქოლ. ელემენტარისტული კონცეფციის დარღვევაში, აღქმის სტრუქტურული მთლიანობის (გეშტალტობის) ექსპერ. დამტკიცებასა და ანთროპოიდების საფეხურზე გონიერი ქცევის ექსპერ. გამოვლინებაში. მისი კონცეფცია ხასიათდება გეშტალტფსიქოლოგიისათვის ნიშანდობლივი ცალმხრივობით. კ. ცდილობდა ფსიქიკის გეშტალტური ბუნება მექანისტურად დაეყვანა ფიზ. კანონზომიერებებზე, სახელდობრ, ფიზიკურის გეშტალტურობაზე.

თხზ.: Gestalt psychology, N. Y., 1929; Исследование интеллекта человекоподобных обезьян, М., 1930. *რ. ნათაძე.*

კელერი იოჰან [24. II (8. III). 1826, ვასტემინიზა, ესტ. სსრ,— 10 (22). IV. 1899, პეტერბურგი]. ესტონელი ფერმწერი, ფერწერის ეროვნული სკოლის ფუძემდებელი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1848—55). 1857—62 სწავლობდა და მუშაობდა დას. ევრ. ქვეყნებში. 1862-იდან ცხოვრობდა პეტერბურგში. ხატავდა ძირითადად კამერულ და პარადულ პორტრეტებს. შექმნა აგრეთვე რელიგ. და მითოლ. კომპოზიციები; პეიზაჟები და ჟანრული სურათები, XIX ს. II ნახ. აკად. ფერწერის სტილით ნამუშევრები: „დედის პორტრეტი" (დაახლ. 1863—64), ე. შულც-ადაევსკაიას პორტრეტი (1868, ორივე ესტ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, ტალინი).

კელერმანი (Kellermann) ბერნჰარდ (4. III. 1879, ფიურთი, — 17. X. 1951, კლაინ-გლინიკე, პოტსდამის ახლოს), გერმანელი მწერალი. 1945-იდან იყო გერმ. დემოკრ. განახლების კულტურბუნდის ერთ-ერთი დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი. 1949 მიიღო გდრ-ის ეროვნ. პრემია. შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო იმპრესიონისტული რომანებით „იესტერი და ლი" (1904), „ინგებორგი" (1906), „შლეგი" (1909), „ზღვა" (1910). მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ‹ტექ.-უტოპიურმა რომანმა „გვირაბი" (1913). მასში მმაფრადაა გაკრიტიკებული ამერ. კაპიტალიზმი, კაპიტალ. ექსპლუატაციის არაადამიანური მეთოდები. მართალია კ. ემხრობა ტექ. პროგრესს, მაგრამ მაინც აბჩენევს, რომ ბურჟ. საზ-ბაში იგი ადამიანის საწინააღმდეგოდაა მიმართული. რომანში ნაჩვენებია წინააღმდეგობა ხელოვნებასა და კაპიტალს, ხელოვნებასა და ტექნიკას შორის. ანტიმილიტარისტულ ტენდენციას შეიცავს რომანი „ცხრა ნოემბერი" (1920; 1933 ნაცისტებმა წიგნი საჯაროდ დაწვეს), რ-შიც ასახულია 1914—18 ომის ქაოსი. რომანში „სიკვდილის როკვა" (1948) ავტორი გმობს ფაშისტ დამნაშავეებს. დაღუპვის პირას მისულ ბურჟ. საზ-ბას სიმბოლურად აგვიწერს რომანში „ლურჯი ბაბთა" (1938). კ. 5-ჯერ იყო სსრკ-ში; დაწერა წიგნი „ჩვენ ვბრუნდებით საბჭოთა რუსეთიდან".

თხზ.: Ausgewählte Werke in Einzelausgaben, Bd. 1—8, B., 1958—63; Собр. соч., т. 1—6, М.—Л., 1930; გვირაბი, თბ., 1967; სიკვდილის როკვა, [თბ., 1965]; 9 ნოემბერი, თბ., 1977.

ლიტ.: Левинтон А. Г., Творчество Б. Келлермана, Л., 1958. *ნ. კაკაბაძე.*

კელერმესის გორასამარხები, ძვ. წ. VI ს. მდიდრული სამარხები სტანიცა კელერმესკაიასთან (ადიღეს აო). შესწავლილია ნაწილობრივ (1903—04, ნ. ვესელოვსკი). მიწაყრილების ქვეშ აღმოჩნდა სწორკუთხა დიდი სამარხები, რ-ებიც სვეტებიანი ხის კარვების მსგავსად იყო გადახურული. გვხვდება მსხვერპლად შეწირული მდიდრულად აკაზმული ცხენების ჩონჩხი (თითო სამარხში 24-მდე), დასაკრძალავი ეტლების ბრინჯაოს მორთულობა, საბრძოლო იარაღი, ოქროს დიადემები და ფიალები, ვერცხლის რიტონი და სარკე. კ. ბ. ეკუთვნოდა ადგილ. მეოტი მოსახლეობის არისტოკრატიას ან სკვითებს, რ-ებიც აქ დარჩნენ წინა აზიაში ლაშქრობის შემდეგ.

კელეტი (Keleti) მარტონ (დ. 26. IV. 1905, ბუდაპეშტი), უნგრელი თეატრისა და კინოს რეჟისორი. უნგრ. სრ სახ. არტისტი (1965). დაამთავრა ბუდაპეშტის კონსერვატორია. თავდაპირველად საოპერო თეატრის რეჟისორი იყო. პირველი დამოუკიდებელი ფილმია „ტოროიკელი პატარძალი" (1937). კ-ის ფილმებია: „მიშკა-არისტოკრატი" (1948), „იანიკა" (1949), „უცნაური ქორწინება" (1951, კ. მიქსათის რომანის მიხედვით), „გუშინ" (1959), „სიყვარულის ოცნებანი" (1970, „ლენფილმთან" ერთად; საბჭ. ეკრანზე— „ფერენც ლისტი"). 1950-იდან თეატრისა და კინოს ინ-ტის (ბუდაპეშტი) პედაგოგი. კოშუტის სახ. პრემია (1951, 1953, 1954).

კელვინი (Kelvin) უილიამ (1824—1907), ლორდი, ინგლისელი ფიზიკოსის უ. *ტომსონის* ტიტული; მიიღო მეცნ. დამსახურებისათვის.

კელვინი, თერმოდინამიკური ტემპერატურის ერთეული, რ-იც უდრის წყლის სამმაგი წერტილის ტემპ-რის 1/273,16; აღინიშნება K-თი. სახელწ. მომდინარეობს უ. *ტომსონის* (ლორდ კელვინის) სახელიდან. 1968-მდე უწოდებდნენ კელვინის გრადუსს °K. იყენებენ როგორც საერთაშ. პრაქტ. ტემპ-რული სკალის ერთეულს (*იხ. ტემპერატურული სკალები*). *კ. ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* (SI) ერთ-ერთი ძირითადი ერთეულია. სიდიდის მიხედვით ცელსიუსის გრადუსის (°C) ტოლია.

კელვინის სკალა, თერმოდინამიკური *ტემპერატურული სკალა.* სახელწ. მიიღო ინგლ. ფიზიკოსის უ. *ტომსონის* (ლორდ კელვინის) პატივსაცემად, რ-მაც პირველმა (1848) წამოაყენა ასეთი სკალის აგების პრინციპი.

კელზენი (Kelsen) ჰანს (11. X. 1881, პრაღა, — 1973), ავსტრიელი იურისტი. ვენის (1917—29), კელნის (1929—33), ემიგრაციის შემდეგ ჟენევისა (1933—40) და კალიფორნიის (1942-იდან) უნ-ტების პროფესორი, სამართ. *ნორმატიული სკოლის* ფუძემდებელი. კ. არსისა და ჯერარსის აბსოლ. დაპირისპირებულობის ნეოკანტიანურ თეზისზე დაყრდნობით სამართალს მთლიანად ჯერარსის სფეროს მიაკუთვნებდა. კ-ის მოძღვრების თანახმად, სამართალი თითქოს არ შეიძლება აიხსნას სოც., ეკონ., იდეოლოგიური და სხვა „მეტაიურიდიული" ფაქტორებით. სამართალი განწმენდილია ყოველგვარი „მეტაიურიდიული" შენარევისაგან და იურიდ. მეცნიერებამ ამ წმინდა ხაზით უნდა შეისწავლოს იგი. კ-თვის მთავარია სამართ. ფორმა და არა მისი შინაარსი. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევინარჩუნოთ სამართ. ობიექტური ხასიათი და არ გავთქვიფოთ იგი იდეოლოგიაში.

კ-ის მოძღვრება აშკარად იდეალისტურია. იგი სამართალს წყვეტს სოც. სინამდვილეს და მიიჩნევს, რომ იურიდ. ნორმა სპეციფ. სამართ. კანონზომიერებას ემორჩილება.

თხზ.: Reine Rechtslehre, Lpz., 1934; 2. Aufl., W., 1967; General theory of law and state, Camb. (Mass.), 1945.

ლიტ.: Туманов В. А., Буржуазная правовая идеология, М., 1971. *ო. გამყრელიძე.*

კელიმანე (Quelimane), ქალაქი მოზამბიკში, ზამბეზიის პროვ. ადმ. ცენტრი. 20 ათ. მცხ. (1968). ნავსადგური მოზამბიკის სრუტის ნაპირზე, მდ. კვაკვის შესართავში. რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. გააქვთ შაქარი, სიზალი, ბამბა, კოპრი, ჩაი, თამბაქო.

კელნი (Köln), ქალაქი გფრ-ში, ჩრდ. რაინ-ვესტფალიის მხარეში, ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონ. ცენტრი. გაშენებულია მდ. რაინის ორივე ნაპირზე. 981 ათ. მცხ. (1976).

კ. ერთ-ერთი უძველესი გერმ. ქალაქია. შეიქმნა რომაელთა სამხ. ბანაკიდან, რ-იც ძვ. წ. I ს-ში დააარსეს გერმ. ტომის უბიების დასახლების ადგილზე. 785-იდან არქიეპისკოპოსის რეზიდენცია იყო. შუა საუკუნეებში გერმ. ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად გადაიქცა; კ-ს არქიეპისკოპოსები (XIII ს-იდან კურფიურსტები) იმპერიის გავლენიანი მთავრები იყვნენ. XIII ს. დასასრ. ხელისუფლება პატრიციატის ხელში გადავიდა. კ. იყო *ჰანზის* ერთ-ერთი წამყვანი წევრი. XVI—XVII სს-ში კ-ის ეკონ. მნიშვნელობა დაეცა. 1794 საფრ. ჯარებმა დაიკავეს. ვენის კონგრესის (1814-15) გადაწყვეტილებით გადაეცა პრუსიას. 1842—43 კ-ში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კ. მარქსი. გერმ. 1848—49 რევ. დროს იყო რევ. მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი. აქ გამოდიოდა „*ახალი რაინის გაზეთი*". I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ ოკუპირებული იყო (1926-მდე) ინგლ. ჯარების მიერ. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ინგლ. საოკუპაციო ზონაში შედიოდა. 1949-იდან გფრ-ის შემადგენლობაშია.

კ. სარკინიგზო, საავტ., ნავთობ- და ნავთობპროდუქტსადენების, ავიახაზების დიდი კვანძი, მნიშვნელოვანი სამდ. ნავსადგური. ხელსაყრელმა სატრანსპ. მდებარეობამ, რურისა და ქვემო რაინის მურა

ბ. კელერი.

ი. კ ე ლ ე რ ი. „მრთელი" („გაწყვეტილი ძაფი"). აკვარელი. 1863 (?). ესტონეთის სსრ სამხატვრო მუზეუმი. ტალინი.

კელერმესის გორასამარხები. ოქროსტარიანი რკინის ცული. ძვ. წ. VI ს.

კელნი. ტაძარი აპოსტოლ-კირხე. დაახლ. 1192—1219.

კელტები. ბრინჯაოს ნიღაბი. გარანსიერ-ან-ბოსი (საფრანგეთი). ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარი. საქალაქო მუზეუმი. შარტრი.

კელტები. რელიეფიანი ქვის სვეტი. სანქტ-გოარი (გფრ). ძვ. წ. III ს. რაინის მხარის მუზეუმი. ბონი.



კელტი. სხვადასხვა ტიპის კელტი.



კემბრიჯი. ტრინიტი-კოლეჯის ბიბლიოთეკა. 1676—84. არქიტექტორი კ. რენი.

ნახშირის აუზებთან სიახლოვემ ხელი შეუწყო ქალაქის ეკონ. განვითარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება: ძრავათ- და ტრაქტორთმშენებლობა, სამთო მრეწვ. მოწყობილობის წარმოება, ავტო-, ვაგონთ- და ლოკომოტივთმშენებლობა, ელექტროტექ., ნავთობგადასამუშ. და ნავთობქიმ. მრეწვ., მრავალფეროვანი ქიმ. მრეწველობა. განვითარებულია აგრეთვე საფეიქრო, სამკერვალო, კვების, პოლიგრ. მრეწვ., საიუველირო საქმე.

ჰ. საბითუმო ვაჭრობის, საკრედიტო-საბანკო, განსაკუთრებით სადაზღვევო საქმის დიდი ცენტრია, რეგულარული საერთაშ. ბაზრობების, გამოფენების ჩატარების ადგილი. სასაქონლო ბირჟა.

IX—XII სს-ში ჩამოყალიბდა ჰ-ის რადიალურ-წრიული სტრუქტურა. არქიტ. ძეგლთაგან შემონახულია XI—XIII სს. რომანული ეკლესიები: სანქტ-მარია-იმ-კაპიტოლი (1049-მდე — 1065), XII—XIII სს-ში გადაკეთებული ტაძრები—აპოსტელ-კირხე (დაახლ. 1192—1219), გერეონსკირხე (ძირითადი ნაგებობა 1219—27); ერთ-ერთი უდიდესი ხუთნავიანი გოთიკური ტაძარი (სიგრძე 144 *მ*, სიმაღლე 157 *მ*; შენდებოდა 1248—1560, დამთავრდა 1842—80); საერო ნაგებობებია: რატუშა (1350—70; კოშკი, 1407—14) და სხვ. 1919-იდან დაიწყო ქალაქის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია. აშენდა ოპერისა (1954—57) და დრამ. (1959—65) თეატრები (არქიტ. ვ. რიფპანი) და სხვ.

ჰ-ში არის უნ-ტი, პედ. აკადემია და პედ. ინ-ტი, მართვისა და ეკონომიკის, სადაზღვევო საქმის აკადემიები, სადაზღვევო საქმის ინ-ტი, უმაღლესი სამუსიკო სკოლა. ზოოპარკი. სამხატვრო მუზეუმები.

** კელოგ-ბრიანის პაქტი,** პარიზის გენერალური ხელშეკრულება აგრესიული ომის აკრძალვის შესახებ. დაიდო 1928 წ. 27 აგვ. თავდაპირველად საფრ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბრიანმა შესთავაზა აშშ-ს ასეთი პაქტის დადება. აშშ-ის სახელმწ. მდივნის ფ. კელოგის წინადადებით, პაქტი მრავალმხრივი უნდა ყოფილიყო. სსრკ არ მიუწვევიათ პაქტზე ხელმოსაწერად, რადგან აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ცდილობდნენ მის იზოლაციას. მაგრამ საბჭ. დიპლომატიის აქტივობამ და საზ. აზრმა აიძულა ისინი საბჭ. კავშირისთვისაც შეეთავაზებინათ პაქტთან შეერთება. სსრკ პაქტს შეუერთდა 1928 წ. 6 სექტ., პირველმა მოახდინა მისი რატიფიკაცია და 1929 ოქმით შეუთანხმდა პოლონეთს, ფინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და რუმინეთს, რომ პაქტი დაუყოვნებლივ შესულიყო ძალაში. პაქტის მონაწილე 64 სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა უარი ეთქვა ომზე, როგორც სახელმწ. პოლიტიკის იარაღზე, და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაეწყვიტა ყოველგვარი დავა თუ კონფლიქტი ურთიერთშორის. *გ. ყვანია.*

კელოიდი (ბერძნ. kēlē — სიმსივნე და eidos — სახე), კანის ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილის სიმსივნისებრი წარმონაქმნი. მისი გაჩენის მიზეზები დადგენილი არ არის. განარჩევენ ნამდვილ (სპონტანურ) ჰ-ს, რ-იც ჩნდება შეუცვლელ კანზე, და ცრუ ჰ-ს, რ-იც ვითარდება ტრავმით (მექან., თერმული, ქიმ.) ან ჩირქოვანი პროცესით (მაგ., ფურუნკული) გამოწვეულ ნაწიბურზე. ნამდვილი ჰ. კანზე ოდნავ ამობურცული, მოთეთრო-მოვარდისფრო გლუვი და პრიალაზედაპირიანი მკვრივი წარმონაქმნია, უჩნდებათ უმეტესად ახალგაზრდებს. იზრდება რამდენიმე კვირის, ზოგჯერ თვეების მანძილზე. მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: ჰიალურონიდაზის და მინისებრი სხეულის ინიექციები, PP, B_2, C ვიტამინები; კალციუმიოდიდის ელექტროფორეზი; პარაფინო- და რენტგენოთერაპია.

კელტები (ბერძნ. Keltoi), ენობრივად (იხ. *კელტური ენები*) და მატერიალური კულტურით ერთმანეთის მონათესავე ტომები, რ-ებიც ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში ცხოვრობდნენ რაინის, სენის, ლუარის აუზში და დუნაის სათავეებში, მოგვიანებით კი დასახლდნენ თანამედროვე საფრ., ბელგ., შვეიც., ავსტრ. ტერიტორიაზე, გფრ-ის სამხრეთში, ჩრდ. იტალიაში, ესპ. ჩრდ. და დას. ნაწილში და ბრიტ. კ-ებზე (იხ. *ბრიტები*), აგრეთვე ჩეხიის, ნაწილობრივ უნგრ. ტერიტორიაზე. რომაელები მათ *გალებს* (ლათ. Galli) უწოდებდნენ. ჰ-ს, რ-ებიც ძვ. წ. III ს-ში მცირე აზიაში შეიჭრნენ, *გალატები* დაერქვათ.

ჰ-ის სახვით ხელოვნებაში გავრცელებული იყო ლითონზე გრავირებით ან რელიეფურად შესრულებული ორნამენტი (გეომ., მცენარეული, ზოომორფული), ხშირად ინკრუსტაციით და მინანქრით. ლითონისა და ქვის ქანდაკებას (სტილიზებული ნიღბები, ღმერთების, გმირთა, ცხოველებისა და სხვ. მცირე ფორმის ფიგურები) ახასიათებს თავისებურად სახეცვლილი ანტ. გავლენა. ჰ-ს პრიმიტ. ნაგებობანი ჰქონდათ, გავრცელებული იყო ნახევრად მიწურები, გეგმით სწორკუთხა სამლოცველოები, მარტივი, კარკასული სამეურნეო შენობები. აგებდნენ (სამხრ. საფრანგეთი) ქვის გამაგრებულ დასახლებებს („ოპიდუმები"), რ-ებიც შემდეგ ქალაქ-სიმაგრეებად და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად გადაიქცა (ბიბრაქტი, გერგოვია და სხვ.).

კელტი (გვიანდ. ლათ. celtis — სატეხი), ბრინჯაოს საჩეხი იარაღი, ცულის ან ეჩოს განსაკუთრებული სახეობა. იყენებდნენ ხისა და მიწის დასამუშავებლად. ჰქონდა პირი, რ-შიც უყრიდნენ მოხრილ ტარს. ძვ. წ. II და I ათასწლეულებში ფართოდ იყო გავრცელებული ევრ. თითქმის ყველა ქვეყანაში. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის ჰ-ები განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა დნეპრის დაბლობზე, ვოლგის შუა წელზე, კამისპირეთსა და ციმბირში (თანამედროვე კრასნოიარსკისა და მინუსინსკის რ-ნები).

კელტოლოგია, კომპლექსური მეცნიერება, რ-იც შეისწავლის კელტური ჯგუფის (იხ. *კელტები*) ხალხების კულტურას, ენებს და ისტორიას. მეცნ. ჰ-ის ფუძემდებლად ითვლება ვალიელი (უელსელი) მეცნ. ე. ლუიდი, რ-მაც 1707 გამოსცა ნაშრომი „ბრიტანეთის არქეოლოგია". კელტურ სიძველეებს, კერძოდ. ლატენის კულტურას XIX ს-ში იკვლევდნენ ფრანგი მეცნიერები ჟ. დეშელეტი, კ. ჟიულიანი, XX ს-ში ა. იუბერი, ა. გრენიე, აგრეთვე ჩეხოსლ. მეცნ. ი. ფილიპი. 1853 გამოვიდა გერმ. მეცნ. ი. კ. ცაისის „კელტური გრამატიკა". დიდი წარმატებებია მიღწეული ბრიტების ჯგუფის ენების შესწავლაში (ინგლ. მეცნ. კ. ჯექსონის გამოკვლევები მორფოლოგიასა და ფონეტიკის ისტორიაში; ფრანგი მეცნ. ლ. ფლერიოს ძვ. ბრეტონული ენის ლექსიკონი და გრამატიკა და მრავალი სხვა). ლინგვისტური გამოკვლევები დაკავშირებულია კელტური ლიტ-რის, ისტ. და რელიგ. შესწავლასთან (ფრანგი მეცნ. ჟ. ვანდრიესი, ამერ. ჯ. უოტმეფი, ინგლ. ე. ევანზი, ირლ. ტ. ფ. ო'რეილი, ჯ. კარნი, ნორვ. მ. ლ. შესტედტი).

კელტური ენები, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფი. მასში შედის გალური და კელტიბერიული (ჰ. ე-ის ე. წ. კონტინენტის ენების შტო), ბრეტონული, კორნული და უელსური ანუ კიმრული (ბრიტული შტო), გაელური ანუ შოტლანდიური, ირლანდიური და მენური (გოიდელური შტო) ენები. გალური და კელტიბერიული მკვდარი ენებია (განუდევნია ლათ. ენას; შემორჩენილია ეპიგრაფიკული ძეგლები). ბრიტული ჯგუფი ჩაბოყალიბდა VI—VIII სს-ში, გოიდელური — XII—XIII სს-ში. თანამედროვე ჰ. ე-თაგან ყველაზე გავრცელებულია ბრეტონული ენა (1,1 მლნ. კაცი; 1969, შეფასება), უელსური (0,9 მლნ. კაცი; 1970, შეფასება) და ირლანდიური (0,6 მლნ. კაცი; 1971, შეფასება). გაელურ ენაზე 80 ათ. კაცი ლაპარაკობს; მენურ ენაზე დღესდღეობით რამდენიმე ასეული კაცილა ლაპარაკობს.

ჰ. ე-ში მახვილის სისტემის შეცვლის დროს (ახ. წ. V—VII სს.) წარმოიშვა თავკიდური ხმოვნების მონაცვლეობა. თანამედროვე ჰ. ე-ში მახვილის გავლენით მოკვეცილია ბოლოკიდური მარცვალი. ირკვევა, რომ ჰ. ე-ის მრავალი თავისებურება, რაც ადრე სუბსტრატის გავლენად იყო ცნობილი, არქაიზმად უნდა ჩაითვალოს; მაგ., ამ ენებში დადასტურებულ სუფიქსურ და ინფიქსურ ნაცვალსახელებს აშკარა პარალელები აქვს ხეთურში, ტოხარულში, ლიტვურსა და სხვ. ინდოევრ. ენებში.

ლიტ.: Льюис Г., Педерсен Х., Краткая сравнительная грамматика кельтских языков, пер. с англ., М., 1954.

კემბრიის მთები (Cambrian Mauntains), უელსის მასივი, მთები დიდ ბრიტანეთში, უჭირავს უელსის ნ.-კ-ის დიდი ნაწილი. სიგრძე დაახლ. 150 *კმ*, სიმაღლე 1085 *მ*-მდე (მთა სნოუდონი). აგებულია ძირითადად ფიქლებით, კირქვებითა და ქვიშაქვებით. განიერი და ღრმა ხეობებით დაყოფილია ცალკეულ ზეგნებად, რ-ებზეც აღმართულია ჭიუხები. მდ-თა ქსელი ხშირია. ბევრია პატარა ტბა. 400—600 *მ*-მდე ფართოფოთლოვანი ტყეა, უფრო მაღლა—მანანიანი და ტორფნარი. ჰ. 8-ში აღწერეს პირველად *კამბრიული სისტემის* ნალექები.

კემბრიჯი (Cambridge), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისში. კემბრიჯშირის საგრაფოს ადმ. ცენტრი. მდებარეობს ლონდონის ჩრდ-ით 70 *კმ*-ზე, მდ. კემის (უზის შენაკადი) ნაპირზე. 106 ათ. მცხ. (1976). ცნობილია როგორც ერთ-ერთი უძველესი (XIII ს-იდან) საუნივერსიტეტო ქალაქი (იხ. *კემბრიჯის უნივერსიტეტი*). მანქანათმშ. (სამეცნ. აპარატურა და ხელსაწყოები, რადიოელექტრონიკა), კვებისა და პოლიგრ. მრეწველობა. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 730.

შუა საუკუნეებიდან ქალაქს ჰქონდა სწორკუთხა დაგეგმარება. მაშინდელია კოლეჯების არქიტ. ანსამბლები, რ-ებიც თავმოყრილია გეგმით სწორკუთხა ეზოების ირგვლივ. ჰ-ში არის რომანული მრგვალი ეკლესია (დაახლ. 1101—30), კინგზ-კოლეჯის გვიანდ. გოთიკური კაპელა (1446—1515), ტრინიტი-კოლეჯის კლასიცისტური სტილის ბ-კა (1676—84, არქიტ. კ. რენი) და უნ-ტის სენატი (1722—30, არქიტ. ჯ. გიბზი).

კემბრიჯი (Cambridge), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მასაჩუსეტსის შტატში, ბოსტონის გარეუბანი. 100 ათ. მცხ. (1975). დიდი სამეცნ. ცენტრი (ჰარვარდის უნ-ტი, ტექნოლ. ინ-ტი და სხვ.). ქიმ. და მანქანათსაშ. მრეწვ. საწარმოები. ჰ. დაარსდა 1630.

კემბრიჯის პლატონელები, XVII ს. II ნახ. ინგლისელი რელიგიური ფილოსოფოსების ჯგუფი, რ-იც ცდილობდა ნეოპლატონიზმის იდეების გამოყენებას ქრისტიანული რწმენის რაციონალისტური დასაბუთებისათვის (წარმომადგენლები იყვნენ კემბრიჯის უნ-ტის პროფესორები — რ. კადუორთი, ჰ. მორი, აგრეთვე ოქსფორდის უნ-ტის პროფ. ჯ. გლენვილი). ჰ. პ. უპირისპირდებოდენ ინგლ. ფილოსოფიის ემპირისტულ-სენსუალისტურ მიმდინარეობას, კერძოდ, ტ. *ჰობზის* მატერიალ-









სტ. კანადა (I). **1.** კლდოვანი მთები ბანფის ეროვნულ პარკში. **2.** სელკერკის მთები. **3.** კუნძული კეიპ-ბრეტონი. აპალაჩის მაღლობის ჩრდილოეთი ნაწილი. **4.** თანამედროვე ლანდშაფტი ფართოფოთლოვანი ტყის ზონაში. **5.** ქ. მონრეალის ხედი. **6.** ქ. ვანკუვერის ხედი. **7.** ქ. ტორონტოს ხედი. **8.** ქ. ოტავა. პარლამენტის კომპლექსი.







სტ. კანადა (II). **1.** ე. ვუდი. „ლელავალა, ლეგენდა ნიაგარაზე". კანადის ეროვნული გალერეა. ოტავა. **2.** ფ. ბაიარი. „ღვთისმშობელი ყრმით". ხე. დაახლ. 1803. დეტროიტის ხელოვნების ინსტიტუტი. **3.** ე. კორმიე. მონრეალის უნივერსიტეტის კოშკი. 1925–42. **4.** „ბრიტანეთის კოლუმბიის ელექტრო კომპანიის" სამმართველო. ვანკუვერი. 1957. „შარპის, ტომფსონის, ბერიკის, პრეტის" არქიტექტურული ფირმა. **5.** ფ. კამბერლენდი და სხვ. ოსგუდ-ჰოლი. 1829–59. ტორონტო. **6.** ქარხანა „ნაშუა". პიტერბორო (ონტარიო). 1947. „გორდონისა და ადამსონის" არქიტექტურული ფირმა. **7.** ე. ლენოესი. კასალომა. 1911–14. ტორონტო. **8.** პ. კეინი. ინდიელის პორტრეტი. 1850-ის შემდეგ. ონტარიოს სამეფო მუზეუმი. ტორონტო **9.** ჰ. უოტსონი. „რაბი". 1900. კანადის ეროვნული გალერეა. ოტავა. **10.** ჯ. უ. მორისი. „კვებეკის სიფლის მისალ გომები". 1909. ტ. დარლინგის კოლექცია. უესტმაუნტი.









ს ტ ა ნ კ ა ნ ლ ი. **1.** ბ ე ლ ო ვ ნ ი ს ი. კ ა ნ კ ე ლ ი ს ფ ი ლ ა. VIII ს. კ ა ს ბ ი ს რ-ნ ი. **2.** წ ე ბ ე ლ დ ა. კ ა ნ კ ე ლ ი ს მ ე ო რ ე ფ ი ლ ი ს დ ე ტ ა ლ ი. VII ს. ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ა ნ ტ ა ს ი ს ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ს ო ფ ლ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ფ ი ლ ა. XI ს. პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ი. ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ა ბ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ს ა ბ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ს ა ბ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. **5.** ბ ა ტ ა ნ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ა ბ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. **6.** ს ბ ე თ ი. კ ა ნ კ ე ლ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. XI ს. ს ა ბ ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. **7.** ფ ო თ ო ლ ე თ ი. კ ა ნ კ ე ლ ი ს ს ა ე რ თ ო ხ ე დ ი. VIII ს. ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი. (1,2,3,6,7—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს ა ნ ტ ა ნ ი ს ა ნ ტ ა ნ ი ს ნ ა ნ ი ლ ი).





სტ. კარიკატურა **1.** ფ. გოია. „მოწაფე უფრო გონიერი ხომ არა არის?". 1797-98. ოფორტი სერიიდან „კაპრიჩოსი". **2.** უცნობი მხატვარი. „ქალაქში სიწყნარეა, მოძრაობა განახლდა". 1905. **3.** კუკრინიქსები „ტუნისის შემდეგ". 1943 **4.** დონი (დ. ნაცვლიშვილი). „ბურჟუაზიის სამშვიდობო ენა". 1948. **5.** დ. მორი „არქივის ღირსშესანიშნაობა". 1917. **6.** ჰ. ბიდსტრუპი. „საბოტაჟი". 1943. **7.** გ. ლომიძე. „იმპერიალიზმის ძირითადი კანონი". 1978. **8.** გ. ფირცხალავა. „ან დამაძინეთ, ან დამპატიჟეთ", 1966. **9.** გ. ფირცხალავა. „არც ახლა იყიდი საბრიალებელს?!" 1965. **10.** ჯ. ლოლუა „კაი სამსახურს რომ მიშოვნით, გამაღვიძეთ". 1974.





სტ. *კაროლინგური აღორძინება.* **1.** ორატორიუმი. ჟერმინი-დე-პრე. საფრანგეთი. დაახლ. 806. **2.** მონასტრის ალაყაფის კარზე დაშენებული კაპელა. ლორში. გერმანია. დაახლ. 774. **3.** „დღე განკითხვისა". ნახატი კალმით. „უტრეხტის დავითნი". IX ს. უნ-ტის ბიბლიოთეკა. უტრეხტი. **4.** „აღთქმის კიდობანი". ჟერმინი-დე-პრეს ეკლესიის ორატორიუმის აფსიდის მოზაიკა. 806. **5.** შენისის ეკლესიის (შვეიცარია) კანკელის ფრაგმენტი. სტუკო. VIII ს. შვეიცარიის ეროვნული მუზეუმი. ციურიხი. **6.** „მარკოზ მახარებელი". „ებოს სახარების" მინიატიურა. დაახლ. 816—835. ქალაქის ბიბლიოთეკა. ეპერნე. საფრანგეთი. **7.** აახენის სასახლის კაპელის პირველი კარის დეტალი. ბრინჯაო. IX ს. **8.** „წმ. ჰერიბერტის სავარცხელი". სპილოს ძვალი. IX ს. დასასრული. შნიუტგენის მუზეუმი. კელნი. **9.** ქრისტე. სპილოს ძვალი. X ს. სახელმწიფო მუზეუმი. ბერლინ-დალემი.



სტ. კასპის რაიონი (I). **1.** კასპი. ცენტრალური მოედანი. **2.** კასპი. ერთ-ერთი უბანი. **3.** კასპის ცემენტის ქარხანა. **4.** „კასპიელექტროაპარატი". ამწყობი საამქრო. **5.** სოფ. კავთისხევი. საერთო ხედი. **6.** სოფ. წინარეხი. საერთო ხედი. **7.** ნოსტფს მეფრინველეობის ფაბრიკა. **8.** სოფ. ნოსტე. საერთო ხედი. **9.** სოფ. თვალადი. საერთო ხედი. **10.** სოფ. გარიყულა. საერთო ხედი. **11.** სოფ. ახალქალაქი. საერთო ხედი. **12.** მდ. მტკვრის ჭალა მეტეხთან. **13.** მდ. კავთურის ხეობა.







სტ. კასპის რაიონი (II). **1.** კასპი. კულტურის სახლი. **2.** სოფ. ახალქალაქი. საშ. სკოლა. **3.** სოფ. ხოვლე. ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი. **4.** კასპი. საავადმყოფო. **5.** მეტეხის ეკლესია. XIII ს. სოფ. მეტეხი. **6.** სოფ. ნოსტე. გ. სააკაძის რეზიდენციის კოშკი და გალავანი. XVI ს. დასასრ. XVII ს. I მეოთხედი. **7.** სოფ. სამთავისი. სამრეკლო. XVII ს. **8.** მაღლაანთ ეკლესია. XII ს. დასასრული. **9.** ფავნისი. წმ. გიორგის ეკლესია. X ს. **10.** სოფ. მეტეხი. საერთო ხედი. **11.** ქვაოახევის ეკლესია. XII–XIII საუკუნეთა მიჯნა.







1. ᱥᱚᱞᱚᱢᱚᱨᱞᱤᱧᱛᱤᱨ ᱯᱷᱚᱞᱤᱧᱛᱤᱨ ᱢᱮᱧᱛᱮᱱᱚ

მოძღვრებას. მსოფლიო გონის ნეოპლატონისტური ცნება მათ ღვთისა და სამყაროს შუამავლად მიიჩნიეს, რითაც ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ სამყარო არის არაცნობიერი „პლასტიკური ბუნება“, რ-იც ასრულებს შემოქმედის ნებას.

კემბრიჯის უნივერსიტეტი, ინგლისის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი უნ-ტი; დაარსდა 1209 კემბრიჯში. კ. უ-ში მოღვაწეობდნენ ტ. *მორი* და *ერაზმ როტერდამელი.* მოგვიანებით კ. უ. ინგლ. რეფორმაციის ცენტრი გახდა. 1669—1702 აქ ასწავლიდა ი. *ნიუტონი.* 1837 კ. უ-ში მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ჩ. *დარვინს.* XX ს. პირველ წლებში ფიზ. დარგში დაწყებულ სამეცნ. რევოლუციაში დიდი როლი ითამაშა კ. უ-ის კევენდიშის ლაბორატორიამ (ჯ. კ. მაქსველი, პ. დირაკი, ჯ. ტომსონი, ე. რეზერფორდი), დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ლისტერის ბიოქიმ. ინ-ტსა და კემბრიჯის ობსერვატორიას.

1977 კ. უ-ში იყო 28 ვაჟთა და ქალთა კოლეჯი; კლასიკური, ღვთისმეტყველების, ინგლ., ახ. და შუა. საუკ. ენების, მუს., აღმოსავლური, ეკონ. და პოლიტ., ისტ., იურიდ., ფილოს., საინჟინრო, გეოგრ.-გეოლ., მათ., ფიზ.-ქიმ., არქეოლ. და ანთროპოლ., ბიოლ. (2 ფაკ-ტი), სამედ., პედ., საინჟინრო-ქიმ. ფაკ-ტები. კ. უ-თან არის აფრ., საერთაშ., ლათ. ამერ., სამხრ. აზიის გამოკვლევათა ცენტრები; პოლარული გამოკვლევების, თეორ. ასტრონ. ინ-ტები, შინაური ცხოველების მოშენებისა და შენახვის ჯგუფი; ბიოლ. და ფიზ. მეცნიერებათა სკოლები; ფიცულიამის, კლასიკური არქეოლ., არქეოლ. და ეთნოგრ., ზოოლ., გეოლ., მეცნიერების ისტ. მუზეუმები, ობსერვატორია, ბოტან. ბაღი, სას.-სამ. სადგური და სხვ.; 1977 სწავლობდა 11 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 1000 მასწავლებელი, მ. შ. 150 პროფესორი; ბ-კაში არის 3 მლნ. ტ. კ. უ-ში



30. ძსე, ტ. 5

სწავლების ფასი ძალიან მაღალია, რაც უბიშობს კარს მშრომელთა შვილებს.

კემერი, ბალნეოლოგიური და ტალახით სამკურნალო კურორტი, *იურმალის* ნაწილი, ქ. რიგიდან 44 *კმ*-ზე. სამკურნ. საშუალებანი: ტორფისა და საროპელის ტალახი, აგრეთვე გოგირდწყალბადიანი, სულფატურ-ჰიდროკარბონატული კალციუმიანი წყალი, რ-საც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის. სამედ. ჩვენება: საყრდენ-სამოძრაო ორგანოთა, ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კანის, საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და სისხლძარღვთა (ენდარტერიიტი) დაავადებანი. სანატორიუმები, სააბაზანოები, ტალახსამკურნ., პოლიკლინიკა.

კემეროვო (1932-მდე შ ჩ ე გ ლ ო ვ ს კ ი), ქალაქი (1918-იდან), რსფსრ კემეროვოს ოლქის ცენტრი. გაშენებულია მდ. ტომის ორივე ნაპირზე (მდ. ისკიტიმის შესართავთან). რკინიგზის სადგ. იურგა აკავშირებს ტრანსციმბირის მაგისტრალთან. ნავმისადგომი მდ. ტომზე. 471 ათ. მცხ. (1979). მრეწვ. მთავარი დარგებია ქიმ., ქვანახშირის, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი, კვების და საშენ მასალათა მრეწველობა. მთავარი საწარმოებია: ნოვოკემეროვოს ქიმკომბინატი, კოქსქიმ., აზოტტუკის, ქიმ. მანქანათსაშ., სამშენებლო მანქანების, ელექტროტექ. და ელექტროძრავების ქ-ნები.

კემეროვო. ლენინის პროსპექტი.

მდ. ტომი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. მარცხ. ნაპირზეა ქალაქის ცენტრი. გენ. გეგმის მიხედვით (შემუშავდა 1950-იან წლებში) აგებულია დიდი საზ. შენობები (დრამ. თეატრი, კულტურის სასახლე, კინოთეატრები, სტადიონი „ხიმიკი“) და საცხოვრ. რ-ნები. 1971 შემუშავდა ახ. გენ. გეგმა (არქიტ. ლ. გრიშინი და სხვ.).

კ-ში არის პოლიტექ., პედ., სამედ., კულტურის და კვების მრეწვ. ინ-ტები, საკავშ. საფინანსო-ეკონ. ინ-ტის ფილიალი; ქიმ.-ტექნოლ., ქიმ., ინდუსტრ.-პედ., კვების მრეწვ., აღრიცხვის მექანიზაციის, სამშენებლო, საღამოს სამთო და სხვა ტექნიკუმები; სამედ., სამუსიკო და კულტ.-საგანმან. სასწავლებლები. დრამ., ოპერეტის და თოჯინების თეატრები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კემეროვოს ოლქი, შედის რსფსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1943 წ. 26 იანვ. ფართ. 95,5 ათ. *კმ*². მოსახლ. 2958 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 86%. ცენტრი — ქ. კემეროვო.

კ. ო. მდებარეობს დას. ციმბ. ვაკისა და სამხრ. ციმბ. მთების მიჯნაზე. მისი ტერიტ. უმეტესი ნაწილი *კუზნეცკის ქვაბულს* უკავია, უკიდურესი სამხრ. ნაწილი მთიანი შორიის საშუალმთიანეთია. მდები ობის აუზს მიეკუთვნება. დიდი მდინარეა ტომი. იღებენ ქვანახშირს (*კუზნეცკის ქვანახშირის აუზი*), რკინის მადანს, მანგანუმს, პოლიმეტალებს და სხვ. მრეწვ. მთავარი დარგებია: ქვანახშირის მრეწვ., ელექტროენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმ. მრეწვ., მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. არის დიდი რ-ნული თესები — ბელოვოს (1,2 მლნ. *კვტ*) და ტომ-უსის (1,3 მლნ. *კვტ*), იუჟკუზბასის სრესი (156 ათ. *კვტ*), აგრეთვე თეცები დიდ სამრეწვ. ცენტრებში — ნოვოკუზნეცკში, კემეროვოში. შავი მეტალ. მთავარი საწარმოებია — კუზნეცკის მეტალ. კომბინატი და დას. ციმბ. მეტალ. ქ-ნა ნოვოკუზნეცკში; ფერადი მეტალ. — თუთიის ქ-ნა ბელოვოში, ალუმინის — ნოვოკუზნეცკში და სხვ. ქიმ. მრეწვ. საწარმოები ძირითადად მოთავსებულია კემეროვოში და ნოვოკუზნეცკში. მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრებია აგრეთვე პროკოპიევსკი, კისელიოვსკი, ლენინსკ-კუზნეცკი, ანჟერო-სუჯენსკი და სხვ. სოფ. მეურნ. სპეციალიზებულია სამრეწვ. ცენტრებისათვის კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვა სას.-სამ. პროდუქტების წარმოებაზე. ჩრდ. რ-ნებში მარცვლეულის ნათეს-

კენაფი: 1—მცენარე; 2—ყვავილი; 3—ნაყოფი; 4—თესლი.

ფ. კენე.

ჯ. კენედი.

�ia. სარძეო-სახორცე მეცხოველეობა. სანაოსნოა მდ. ტომი. ოლქი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1967 და 1970).

** КЕМІ** (Kemi), ქალაქი ჩრდ. ფინეთში, ლაპის ლიანში. 28 ათ. მცხ. (1976). ხე-ტყის საექსპორტო ნავსადგური ბოტნიის ყურის (ბალტიის ზღვა) ნაპირზე, მდ. კემიიოკის შესართავთან. ხე-ტყის ხერხვა, ქაღალდის, მუყაოს წარმოება.

КЕМІ, ქალაქი კარელ. ასსრ-ში, მდ. კემის ნაპირზე. კემის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური პეტროზავოდსკ—მურმანსკის ხაზზე. ტყის მრეწველობა. ტურბაზა. მატიანეში ჯ. მოხსენიებულია XV ს-ში.

ქალაქში ძირითადად ხის ნაგებობებია. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან გამოირჩევა მიძინების ტაძარი (1711—17, რესტავრირებულია 1956); რვაწახნაგა კარვით დაგვირგვინებული ტაძრის ძირითად ნაგებობას ეკვრის ორი კარვისებრსახურავიანი ეგვტერი და სატრაპეზო. ხუთიარუსიანი კანკელი (XVIII ს.) შემკულია XVII ს. ნოვგოროდული სკოლის ხატებით.

КЕМІІОКІ (Kemijoki), მდინარე ფინეთში. სიგრძე 550 *კმ*, აუზის ფართ. დაახლ. 52 ათ. *კმ*². სათავე აქვს მანსელკიის სერების სამხრ. კალთაზე, სსრკ-ისა და ფინ. საზღვართან. მიედინება ძირითადად ბორცვიან ვაკეზე. უერთდება ბოტნიის ყურეს (ბალტიის ზღვა). გაზაფხულსა და შემოდგომაზე იცის წყალდიდობა. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 515 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში. ყინულძვრა მაისშია. ხე-ტყის დაცურება, თევზჭერა, ჰესი. ქვემოთში სანაოსნოა. ჯ-ის ნაპირზეა ქ-ები: კემიიარვი, როვანიემი, შესართავთან — საზღვაო ნავსადგური კემი.

КЕМПБЕЛ-БЕННЕРМАНІ (Campbell-Bannerman) ჰენრი (7. IX. 1836, გლაზგო, — 22. IV. 1908, ლონდონი), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე. 1886 და 1892—95 სამხ. მინისტრი. 1899-იდან ლიბერ. პარტიის ლიდერი. 1905—08 პრემიერ-მინისტრი. ატარებდა იმპერიალ. საგარეო პოლიტიკას. 1907 რუსეთთან დადო შეთანხმება, რ-იც მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა *ანტანტის* შექმნაში.

КЕМПІС (ნამდვ. გვარი ნაიკოვსკაია) მირა [დ. 27. I (9. II). 1907, ლიეპაია), ლატვიელი საბჭ. პოეტი. ლატვ. სსრ სახ. პოეტი (1967), ლატვ. სსრ კულტ. დამს. მოღვაწე (1957). პირველი ნაწარმოები 1924 დაბეჭდა. 1940-იდან აქვეყნებს ლექსებს. ეკუთვნის კრებულები: „დილის ნიავი" (1946), „ჩეგობრის სიტყვა" (1950), „სიყვარული" (1957; ლატვ. სსრ სახელმწ. პრემია, 1958), „გაელვების მარადისობა" (1964; სსრკ სახელმწ. პრემია, 1967), „ველური ვარდი" (1972) და სხვ. ჯ-ს პოეზიის მოტივებია საბჭ. პატრიოტიზმი, ხალხთა განმათ. ბრძოლა, ადამიანის შინაგანი სამყარო. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კენგურუები: 1—ბენეტის მეხეური კენგურუ; 2—განივზოლიანი კენგურუ; 3—წითური გიგანტური კენგურუ.

КЕМПІНГІ (ინგლ. camping<camp — დაბანაკება), ავტოტურისტების კეთილმოწყობილი საზაფხულო ბანაკი, სადაც არის კარვები ან მსუბუქი პატარა სახლები და ავტომობილის სადგომი ადგილები (უშუალოდ კარვებთან ან საერთო მოედანზე). ჯ-ში ხშირად ეწყობა ესტაკადები ავტომობილების ტექ. დათვალიერების, მომსახურებისა და რეცხვისათვის. სსრკ-ში ჯ-ის ფართობს ადგენენ გაანგარიშებით, რ-იც 1 ტურისტზე 100—120 *მ*² ითვალისწინებს.

КЕМПУЛАРІА-ნАТАЛІ ლუბა მანუჩარის ასული (დ. 28. III. 1891, სოფ. ზუბი, ახლანდ. ხობის რ-ნი), ქართველი საბჭ. ბოტანიკოსი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1965), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). „საქართველოს ფლორის" I და II გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ავტორი. ჯ.-ნ-ის გამოკვლევები ეძღვნება საქართვ. ტერიტ. ფლორისტიკულ შესწავლას, ყვავილოვან მცენარეთა სისტემატიკის, ტაქსონომიისა და ფილოგენიის საკითხებს. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

КЕНА, ქალაქი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, მდ. ნილოსის მარჯვ. ნაპირზე. კენის მუჰაფაზის ადმ. ცენტრი. 78 ათ. მცხ. (1970). სავაჭრო-სატრანზ. პუნქტი. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. მეთუნეობა და აფრიანი ნავების ხელოსნური წარმოება. საფეიქრო და შაქრის მრეწველობა.

КЕНАІ (Kenai), ნახევარკუნძული ალასკის სამხრ. ნაწილში (აშშ), კუკისა და პრინსუილიამის ყურეებს შორის. სიგრძე დაახლ. 240 *კმ*, სიგანე 113 *კმ*-მდე. რელიეფი მთაგორიანია (სიმაღლე 1884 *მ*-მდე), აღმ. ნაპირი — ფიორდული, დას. — დაბლობი. ჰავა ოკეანურია, გრილი. ნალექები 1500 *მმ*-მდე წელიწადში. მთებში მნიშვნელოვანი გამყინვარებაა. არის ხშირი ტყეები და მდელოები. ნავთობის საბადო. თევზჭერა.

КЕНАФІ (Hibiscus cannabinus), ერთწლოვანი ლაფანბოჭკოვანი მცენარე ბალბისებრთა ოჯახისა. ჯ. ველურად გვხვდება სამხრ. აფრიკაში და ცენტრ. ინდოეთში. ტენისა და სითბოს მოყვარულია. ჯ-ის მშრალი ღერო შეიცავს საშუალოდ 16—20% ბოჭკოს, რ-იც გამოირჩევა მაღალი ჰიგროსკოპულობითა და სიმკვრივით. მისგან ამზადებენ ჯვალოს, ბრეზენტს, კანაფს და სხვ. თესლში 20%-მდე ტექ. ზეთია. კოპტონს იყენებენ სასუქად და ცხოველთა საკვებად.

КЕНАШІ, სოფელი ცაგერის რ-ნში (ალვის სოფსაბჭო), მდ. ცხენისწყლის ხეობაში. ზ. დ. 650 *მ*, ცაგერიდან 15 *კმ*. ლასურიაშის კოლ-ბა (მებაღეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ქვედა ალვში (4 *კმ*). ჯ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

КЕНГАРУ (Kangaroo), კუნძული ავსტრალიის სამხრ. ნაპირთან. ფართ. 4351 *კმ*². ზედაპირი ვაკეა. ჰავა სუბტროპიკულია. ნალექები 600 *მმ*-მდე წელიწადში. გაბატონებულია ქსეროფილური ბუჩქნარები და ევკალიპტის მშრალი ტყეები.

КЕНГАРУЕБІ (Macropodinae), ჩანთოსნების ქვეოჯახი. მათი სხეულის სიგრძე 30—160 *სმ* აღწევს, კუდისა — 30—110 *სმ*, მასა—2—70 *კგ*. ცნობილია ჯ-ის 40-მდე სახეობა. გავრცელებული არიან ავსტრალიაში, ახალ გვინეაში, ტასმანიაზე, ბისმარკის არქიპელაგზე. უმრავლესობა მიწაზე ცხოვრობს, ზოგი მეხეურია. იკვებებიან მცენარეულობით; ზოგი ჭიებსა და მწერებს ჭამს. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. მაკეობა 30—40 დღე-ღამე გრძელდება. შობენ 1—2 უსუსურ ნაშიერს, რ-ებსაც დედა 6—8 თვის განმავლობაში ჩანთით ატარებს. პირველ ხანებში ნაშიერი მჭიდროდაა მიმაგრებული დედის ძუძუზე და რძე პერიოდულად ეშხეფება პირში. ტანად დიდი ჯ. ბევრგან უკვე მოსპეს, პატარები ჯერ კიდევ მრავლად გვხვდება. სარწყაო ობიექტია, იყენებენ მათ ბეწვს და ხორცს. *ა. ჯანაშვილი.*

КЕНДАЛІ (Kendall) ედუარდ კელვინ (1886—1972), ამერიკელი ქიმიკოსი და ფიზიოლოგი. 1914 იყო ბიოქიმ. პროფესორი მეიოს კლინიკაში. 1915 კრისტ. სახით გამოყო თიროქსინი. 1937 აღმოაჩინა თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონები — დეზოქსიკორტიკოსტერონი, კორტიზონი და შეძლო მათი სინთეზი, 1949 კი — ტვინის დანამატის კორტიკოტროპული ჰორმონი. მონაწილეობდა კორტიზონის სამკურნ. პრეპარატის შექმნაში და პირველმა (1948) გამოავლინა რევმატიზმზე და მოსაზღვრე დაავადებებზე კორტიზონის მოქმედების ეფექტი. თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონის აღმოჩენისათვის 1950 ფ. შ. ჰენჩთან და ტ. რაიხშტაინთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია. *ვ. აბაშიძე.*

КЕНДРიУ (Kendrew) ჯონ კოუდერი (დ. 24. III. 1917, კომპტონი, ბერქშირი), ინგლისელი ბიოქიმიკოსი, მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტი. 1960-იდან ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი. 1939 დაამთავრა კემბრიჯის უნ-ტი; 1946-იდან მუშაობს ამავე უნ-ტში რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდით ცილის მოლეკულების აგებულების სრულ გაშიფვრაზე. 1957 პირველად განსაზღვრა ცილა მიოგლობინის მოლეკულაში პოლიპეპტიდური ჯაჭვების სივრცობრივი განლაგება; 1959 დაადგინა მისი დეტალური აგებულება და დაადასტურა მასში α-სპირალების არსებობა, რაც 1951 იწინასწარმეტყველა ლ. *პოლინგმა.* 1962 მ. პერუცთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია.

ლიტ.: British biochemistry past and present, Camb., 1970.

КЕНЕ (Quesnay) ფრანსუა (4. VI. 1694, მერი, პარიზის მახლობლად, — 16. XII. 1774, ვერსალი), ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატთა სკოლის მამამთავარი. 1718 ჩაბარა გამოცდები ექიმის წოდების მოსაპოვებლად. 1744 მიიღო მედ. დოქტორის სამეცნ. ხარისხი და დაიწყო მუშაობა ლუი XV-ის კარის ექიმად. ეკონ. პრობლემებით დაინტერესდა 60 წლის ასაკში. კ. მარქსი ფიზიოკრატებს თვლიდა თანამედროვე პოლიტ. ეკონ. მამებად, რადგან მათ ბურჟ. თვალსაზრისით გააანალიზეს კაპიტალი. ჯ-მ და მისმა სკოლამ უარყვეს მერკანტილიზმის ძირითადი თეზისი ბრუნვიდან მოგების მიღების შესახებ; ისინი ცდილობდნენ აეხსნათ, რომ სიმდიდრის ნამატი წარმოების პროცესში იქმნება. ჯ-ს პირველი სტატიები, რ-ებიც პურის ფასსა და გადასახადებს ეხებოდა, დაიბეჭდა დ. დიდროს ენციკლოპედიაში. მისი მთავარი შრომა „ეკონომიკური ტაბულები" გამოქვეყნდა 1758. ჯ-ს თეორ. სისტემას იმ დროს პროგრ. მნიშვნელობა ჰქონდა, მისი მოძღვრების პრაქტ. რეკომენდაციები ანტიფეოდალური ხასიათისა იყო.

КЕНЕДІ (Kennedy) რობერტ ფრენსის (20. XI. 1925, ბოსტონი, — 6. VI. 1968, ლოს-ანჯელესი), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე. ჯ. ფ. *კენედის* ძმა. იურისტი. 1957-იდან ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტი აშშ-ის სახელმწ. აპარატში. 1962-იდან იუსტიციის მინისტრი. ამ თანამდებობაზე იყო იგი პრეზიდენტ ლ. ჯონსონის კაბინეტშიც (1964-მდე). 1965-იდან სენატორი ნიუ-იორკის შტატიდან. დემოკრ. პარტიის ლიბერ. ფრთის ერთ-ერთი ლიდერი. აკრიტიკებდა ჯონსონის მთავრობის პოლიტიკას ვიეტნამში. 1968 განაცხადა, რომ იბრძოლებდა აშშ პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებისათვის და ჩაება წინასაარჩევნო კამპანიაში, 5 ივნ. სასიკვდილოდ დაჭრეს. *გ. ბოლოთაშვილი.*

КЕНЕДІ (Kennedy) ჯონ ფიცჯერალდ (29. V. 1917, ბრუკლაინი, მასაჩუსეტსის

შტ., — 22. XI. 1963, დალასი, ტეხასის შტ.), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა ირლ. წარმოშობის ბოსტონელი კათოლიკე-მილიონერის ოჯახში. დაამთავრა ლონდონის ეკონ. სკოლა და ჰარვარდის უნ-ტი. 1941—45 მსახურობდა აშშ სამხ.-საზღვ. ფლოტში წყნარ ოკეანეზე. 1945 ხელი მოჰკიდა ჟურნალისტობას. 1947—53 აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი დემოკრ. პარტიიდან. 1953—61 სენატორი. 1960 გაიმარჯვა პრეზიდენტის არჩევნებში და 1961 წ. 20 იანვ. დაიკავა პრეზიდენტის პოსტი. კ-მ წამოაყენა ე. წ. ახ. მიჯნების პროგრამა, რ-იც ითვალისწინებდა აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეგუებას საერთაშ. ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის ცვლილებასთან. კ-ის საშინაო პოლიტიკა ითვალისწინებდა ქვეყნის დაჩქარებულ ეკონ. განვითარებას, გადასახადების რამდენადმე შემცირებას, რასობრივი დისკრიმინაციის შერბილებას. საგარეო პოლიტიკაში მან თავისი წინამორბედების „კომუნიზმის უკუგდებისა" და „მასირებული მისაგებლის" დოქტრინების ნაცვლად წამოაყენა „მოქნილი რეაგირების" დოქტრინა. ამასთანავე მის დროს შეიქმნა ე. წ. „მშვიდობის კორპუსი" სუსტად განვითარებულ ქვეყნებში იდეოლოგიური დივერსიის საწარმოებლად და „პროგრესისათვის კავშირი" ლათ. ამერ. ქვეყნებისათვის „დახმარების" გასაწევად. იმავე დროს კ. ცდილობდა საერთაშ. სადავო საკითხები გადაეჭრა მოლაპარაკებების გზით. 1963 აგვ. კ-ის მთავრობამ ხელი მოაწერა მოსკოვის ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის 3 სფეროში გამოცდის შეწყვეტის შესახებ. კ-ის პოლიტ. კურსმა გამოიწვია ქვეყნის შიგნით რეაქციული წრეების უკმაყოფილება. 1963 ნოემბ., ქვეყანაში მოგზაურობისას, იგი ვერაგულად მოკლეს. დასაფლავებულია არლინგტონის სასაფლაოზე, ვაშინგტონში.

ლიტ.: Громыко А. А., 1036 дней президента Кеннеди, М., 1971.

გ. ბოლოთაშვილი.

კენედი (Kennedy), სრუტე კ. გრენლანდიასა და კ. ელზმირს (კანადის არქტ. არქიპელაგი) შორის. აკავშირებს ბაფინისა ღ ლინკოლნის ზღვებს. სიგრძე დაახლ. 148 *კმ*, სიგანე 23—55 *კმ*, სიღრმე 150-იდან 300 *მ*-მდე. ნაპირები მაღალი, ციცაბო აქვს. მთელი წლის განმავლობაში დაფარულია მოდრეიფე ყინულით. სახელი. ეწოდა ინგლ. ზღვაოსნის უ. კენედის პატივსაცემად.

კენია (Kenya), ვულკანური მასივი აღმ. აფრიკაში. სიმაღლით მეორე მწვერვალი კონტინენტზე (5199 *მ*). აღმართულია აღმ. აფრიკის რღვევის ზონის აღმ-ით, ლავურ პლატოზე, აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა. 1200 *მ*-მდე ნოტიო ეკვატორული ტყეებია, 2000 *მ*-მდე — ყავის, ბანანის პლანტაციები, 3000 *მ*-მდე — სოტიო მთის ტყეები, 4800 *მ*-მდე — ეკვატორული მაღალმთიანი მდელოების სარტყელი, უფრო მაღლა — მარადი თოვლი და მყინვარები. კ-ის მწვერვალსა და მის მიდამოებში არის ეროვნ. პარკი (მაუნტ-კენია).

კენია (Kenya), კ ე ნ ი ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (Republic of Kenya), სახელმწიფო აღმ. აფრიკაში. შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 582,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 14,3 მლნ. კაცი (1977, შეფასება). დედაქალაქი — ნაირობი. ოფიც. ენა—ინგლისური და სუაჰილი. ეროვნ. დღესასწაულია 12 დეკ.—დამოუკიდებლობის დღე (1963). იყენებენ გრიგორიანულ *კალენდარს*. ფულის ერთეულია კენიის შილინგი. 7,55 კენიის შილინგი=1 აშშ-ის დოლარს (1979). ადმინისტრაციულად კ. იყოფა 8 პროვინციად და დედაქალაქის ოლქად.

კ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1963 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და ეროვნ. კრება — პარლამენტი, რ-ებსაც მოსახლ. ირჩევს 5 წლით. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. იგი არის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. კ. მდებარეობს აღმ. აფრიკის ზეგნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, რ-საც თითქმის შუაზე კვეთს ეკვატორი. ქვეყნის უმეტესი ნაწილი უჭირავს ზეგანს (საშ. სიმაღლე 500—1500 *მ*), რ-იც ჩაჭრილია გრაბენებით. გრაბენ-რიფტ გრეგორის კიდეებში აღმართულია მაღალი ქედები (აბერდერი, მაუ, ელგეიო) და ვულკანები (მთა კენია, 5199 *მ*—კ-ის უმაღლესი წერტილი; ელგონი, 4322 *მ*). ქვეყნის აღმ. ნაწილში, ინდოეთის ოკ. სანაპიროს გასწვრივ აკუმულაციური დაბლობია (სიგანე 50—200 *კმ*). კ. მდიდარია არალითონური სასარგებლო წიაღისეულით (ნატრიუმკარბონატი, კიანიტი, დიატომიტი) და იშვიათი ლითონებით (თორიუმი, ნიობიუმი). ქვეყნის სამხრ. და სამხრ.-დას. ნაწილში მოიპოვება ოქრო და პოლიმეტალური მადანი. ჰავა სუბეკვატორულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 14-იდან 27°C-მდე, ივლ. 12-იდან 25°C-მდე. ნალექები 250 *მმ*-იდან (ჩრდ.-აღმ. და აღმ-ით) 1500—2000 *მმ*-მდე (სამხრ.-დას. და დას-ით) წელიწადში. მთავარი მდ-ებია ტანა და გალანა. კ-ის ცენტრ. ნაწილის გრაბენში მდებარეობს რუდოლფის, ბარინგოს, მაგადიხა და სხვა ტბები. ქვეყნის აღმ. და ჩრდ.-აღმ. ნაწილში მოყავისფრო-მოწითალო, ჩრდ.-დას-ით და სამხრ.-აღმ-ით — მოწითალო-მურა, მთებში — მთის წითელი ნიადაგებია. კ-ის დას. და სამხრ.-დას. ნაწილში სავანა და სავანის ტყეა, გვალვიან ჩრდ.-აღმ-ში—გაუდაბნოებული სავანა და ნახევარუდაბნო, მთის კალთებზე — მარადმწვანე ტროპ. ტყეები. ცხოველთა სამყარო გაღარიბებულია. ნაკრძალებსა და ეროვნ. პარკებში შემორჩენილია სპილო, მარტორქა, ზებრა, კამეჩი, ანტილოპა, ჟირაფი, ლომი, ჯიქი, ავაზა, მაიმუნი; ფრინველებიდან — სირაქლემა და სხვ. მდ-ებში არის ნიანგი და ბეჰემოთი.

მოსახლეობა. მოსახლ. 98%-ზე მეტს შეადგენენ აფრ. ხალხები. ცხოვრობენ აგრეთვე ინდოელები, ევროპელები, არაბები. მოსახლ. 3/4-ში შემორჩენილია ადგილ. ტრად. რწმენები, დანარჩენი — ქრისტიანები და მუსლიმანებია, უმნიშვნელო ნაწილი—იუდაისტები.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 80% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 24 კაცი 1 *კმ*²-ზე (1977). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული დას. პროვინცია (დაახლ. 170 კაცი 1 *კმ*²-ზე). მნიშვნელოვანი ქ-ებია: ნაირობი (776 ათ. მცხ., 1977), მომბასა, ნაკურუ, კისუმუ.

ისტორიული ნარკვევი. კ-ის ძირითადი მოსახლ. ჩამოყალიბდა XIV—XIX სს-ში კონტინენტის სხვა რ-ნებიდან ბანტუსა და ნილოტების ტომების მიგრაციის პროცესში. XIX ს. დამლევს აღმ. აფრიკას ინგლ. და გერმ. კოლონიზატორები მოევლინენ. მ. შ. 1890 ხელმოწერილი ხელშეკრულებით კ. ინგლ. გავლენის სფეროში მოექცა. ხოლო 1895 იგი შევიდა ბრიტ. აღმ. აფრიკის პროტექტორატის შემადგენლობაში. 1920 კ. ბრიტ. კოლონიად გამოცხადდა. მისი სანაპირო ნაწილი კვლავინდებურად პროტექტორატად დარჩა. II მსოფლიო ომის შემდეგ კ-ის ხალხების განმათ. მოძრაობა გააქტიურდა. 40-იანი წწ. შუა ხანებში შეიქმნა პირველი მასობრივი პოლიტ. ორგანიზაცია — კენიის აფრიკელთა კავშირი (კაუ), რ-იც მოითხოვდა მიწის საკითხის გადაწყვეტას, რასისტული კანონების გაუქმებასა და სხვ. 40-იანი წწ. დამლევისათვის დაიწყო ფარული რელიგ.-პოლიტ. მოძრაობა „მაუ-მაუ", რ-მაც მიტაცებული მიწების დაბრუნებასთან ერთად თვითმმართველობის უფლებაც მოითხოვა. ამის პასუხად 1952 ინგლ.


კ ე ნ ი ა
ნ ი ლ ი
ი ო ვ ი ნ ა
ნაირობი
ნორთ-პორტ
ტურბი
ბენა
ელ ვაკი
ბარდერა
ვაჯირი
ეჩირა
ლაისამისი
მარალალი
ელდორეტი
ეტერე
ნაკურუ
ნაირობი
ეგერტონ
ალანგა-ბარბა
ბურა
ბურ-ბურ
ბურ-ბურ
ბურ-ბურ

კოლონ. ხელისუფლებამ კანონგარეშე გამოაცხადა „მაუ-მაუს“ მოძრაობა, დააპატიმრა კაუ-ს ლიდერები. დაიწყო ანტიკოლონ. შეიარაღებული აჯანყება, რ-შიაც აქტიურად მონაწილეობდნენ „მაუ-მაუსა“ და კაუ-ს წევრები. აჯანყება 4 წელიწადს გაგრძელდა. 1956 კოლონიზატორებმა იგი სასტიკად ჩაახშვეს. ინგლ. კოლონიზატორები იძულებული გახდნენ მანევრირების ტაქტიკისათვის მიემართათ. 1960 იანვ. საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა და გატარდა ზოგიერთი უმნიშვნელო რეფორმა. 1960 მარტში შეიქმნა ახ. პოლიტ. ორგანიზაცია — კ-ის აფრიკელთა ეროვნ. კავშირი (კანუ), რ-მაც მასობრივი მხარდაჭერა მოიპოვა. იგი ძირითადად მოითხოვდა კ-ის პოლიტ. დამოუკიდებლობას. 1963 წ. 1 ივნ. კ-მ მიიღო შინაგანი დამოუკიდებლობა, შეიქმნა პირველი აფრ. მთავრობა ჯ. *კენიატას* (კანუ-ს ლიდერის) მეთაურობით. 1963 წ. 12 დეკ. კ. დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. 1964 წ. 12 დეკ. იგი რესპუბლიკად გამოცხადდა.

1963—66 კ-ის მმართველ წრეებში თავი იჩინა უთანხმოებამ ქვეყნის შემდგომი განვითარების საკითხში. 1966 მარტში კანუ-ს ლიდერთა ოპოზიციურმა ჯგუფმა შექმნა ახ. ორგანიზაცია — კ-ის ხალხთა კავშირი (კპუ) ოგინგა ოდინგას მეთაურობით (კ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი). კპუ-ს პროგრამა მოითხოვდა დემოკრ., სოციალ. სახელმწიფოს შექმნას, უცხ. მონოპოლიების შეზღუდვას, უმიწო გლეხებისათვის მიწების უფასოდ მიცემასა და სხვ. 1969 კ-ში იფეთქა მწვავე შინაპოლიტ. კრიზისმა, კპუ აიკრძალა, მისი ლიდერები დააპატიმრეს. 1969 პრეზიდენტად კვლავ ჯ. კენიატა აირჩიეს. ახ. პარლამენტში ყველა ადგილი კანუ-ს წარმომადგენლებმა დაიკავეს. 1974 ოქტ. არჩევნებიც კანუ-ს გამარჯვებით დამთავრდა. 1977 გამწვავდა ფრაქციული ბრძოლა კანუ-ში. კ. გამოვიდა აღმ. აფრ. კავშირიდან. ამ კავშირის დაშლამ გაამწვავა ურთიერთობა ტანზანიასთან, 4 თებ. დაიხურა მათ შორის საზღვარი. კ-მ გააქტიურა ურთიერთობა ახლო აღმ. ქვეყნებთან. ივნ. ბოლოს გამწვავდა ურთიერთობა სომალისთან.

კ. აფრ. ერთობის ორგანიზაციის წევრია. 1978 წ. 22 აგვ. გარდაიცვალა ჯ. კენიატა. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა (14 ოქტ-იდან) კანუ-ს ერთადერთი კანდიდატი დ. არაპ მოი. საგარეო პოლიტიკაში კ. განაგრძობს უპირატესად დას. ქვეყნებთან ურთიერთობის განვითარებას. 1963 დეკ. კ-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრკ-თან.

ეკონომიკა. კ. ჩამორჩენილი აგრ. ქვეყანაა. დამოუკიდებლობის გამოცხადების (1963) შემდეგ კ-ის მთავრობამ მიიღო ზომები ეროვნ. ეკონ. გასავითარებლად. გატარდა აგრ. რეფორმა. შეიქმნა სახელმწ. სექტორი. ეკონომიკაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს უცხოეთის კაპიტალი. ევროპელთა კაპიტალ. მეურნეობები იძლევა სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტს. სამრეწვ. საწარმოთა დიდი ნაწილი უცხოეთის კაპიტალს ეკუთვნის. იღებენ ნატრიუმკარბონატს, კიანიტს, დიატომიტს. კ-ში არის კვების, საფეიქრო, ტყავის, ქიმ., ცემენტის, ნავთობგადასამუშ., ლითონდასამუშ., ავტოსაამწყობო საწარმოები. 1977 აწარმოეს (ათ. *ტ*): კალცინირებული სოდა — 121,3, ნავთობპროდუქტები — 2570, ცემენტი — 1144, შაქარი — 181, ფქვილი — 149, ქსოვილი — 37,6 მლნ. $м^2$. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ნაირობი, მომბასა. ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრეა 339 ათ. *კვტ* (1977).

რკინიგზის სიგრძეა 2730 *კმ*, საავტ. გზებისა —50,4 ათ. *კმ*, მ. შ. 4,4 ათ. *კმ* მოასფალტებულია. მთავარი საოკეანო ნავსადგურია მომბასა. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია კისუმუ. დიდი ავიაპორტებია ნაირობისა და მომბასის მახლობლად.

1977 ექსპორტმა შეადგინა 490,7 მლნ. კენიის გირვანქა (ოფიც. სტატისტიკაში იყენებენ კენიის გირვანქას. 1 კენიის გირვანქა=20 კენიის შილინგს), იმპორტმა — 542,4 მლნ. გაავქვთ ყავა, ნავთობპროდუქტები, ჩაი, ტყავი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, დაკონსერვებული ანანასი, ცემენტი. შეაქვთ ნავთობი, მანქანა-მოწყობილობა, შავი ლითონები, სატრანსპ. საშუალებანი, ქაღალდი, მედიკამენტები. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთი, გფრ, იაპონია, ნიდერლანდი, აშშ, აფრ. ქვეყნებიდან — ტანზანია და უგანდა.

განათლება. კ-ის განათლების სისტემის საფეხურებია: 7-წლიანი დაწყ. სკოლა (სავალდებულო არ არის, შედიან 6 წლის ასაკის ბავშვები), 1978 სწავლობდა 1,5 მლნ-ზე მეტი მოსწავლე; საშ. 6-წლიანი 2-საფეხურიანი (2+4) სკოლა. ზოგიერთი საშ. ტექ. სასწავლებელი უტოლდება საშ. სკოლის II საფეხურს და იძლევა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. 1978 საშ. სკოლებსა და ტექ. სასწავლებლებში სწავლობდა 130 ათ-ზე მეტი მოსწავლე. პროფმოზზადება ძირითადად ხორციელდება დაწყ. სკოლის ბაზაზე (1978 სწავლობდა 3 ათ-მდე მოსწავლე). დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პედ. კოლეჯები, საშ. სკოლებისას — ეროვნ. უნ-ტი (დაარსდა 1956 ნაირობიში, როგორც სამეფო ტექ. კოლეჯი, 1961 მიიღო უნ-ტის კოლეჯის სტატუსი, 1969-იდან ეროვნ. უნ-ტია; 1978 სწავლობდა 2 ათ. სტუდენტი). კ-ის 5 ათ. სტუდენტი სწავლობს საზღვარგარეთ, მ. შ. ბევრი — საბჭ. კავშირსა და სხვ. სოციალ. ქვეყნებში. ნაირობიში არის მაკმილანის მემორიალური ბ-კა (1931; 110 ათ-ზე მეტი ტ.), ეროვნ. უნ-ტის ბ-კა (95 ათ-ზე მეტი ტ.), ეროვნ. მუზეუმი (1911) და სორსბის სამხატვრო გალერეა (1961).

კ-ში გამოდის 20-მდე ჟურნალ-გაზეთი. მთავრობის საინფორმაციო სააგენტო „კენია ნიუზ ეიჯენსი“ დაარსდა 1963. სახელმწ. რადიომაუწყებლობა არსებობს 1964-იდან, ტელევიზია — 1962-იდან.

კულტურა. კ-ის ლიტ-რა ვითარდება ინგლ. და ადგილ. ენებზე. კრებულებში „აკამბის მოთხრობები“ (1966, შეადგინა ჯ. მბიტიმ) და „კიკუიუს ზღაპრები“ (1966, შეადგინა ნგუმბუ ნჟურურიმ) გამოქვეყნებულია კიკუიუს, ბალუხიის, აკამბის, მასაისა და სხვ. ხალხების ეპიკური თქმულებები, სიმღერები, ანდაზები, ზღაპრები. XVII ს-ში კ-ში იქმნება ლიტ-რა სუაჰილის ენაზე. აღსანიშნავია ჰეროიკულ-რელიგ. პოემები „უტენდები“ და სხვ. XIX ს-ში მოღვაწეობდნენ პოეტები მუიიაკა ბენ ჰაჯი ალ-ჰასანი (1776—1840), მვანე კუპონა (გ. 1860). XX ს-ში პროზა ჩამოყალიბების პროცესშია. აღსანიშნავია მუგა გიკარუს ანტიკოლონ. მოთხრობა—პამფლეტი „მზის ქვეყანა“ (1958, ინგლ. ენაზე), ჯ. ნგუგის (წერს ინგლ. ენაზე) რომანი „ნუ ტირი, შვილო“ (1964) და სხვ.

შემონახულია XIV და XV სს. მარჯნის ქვისა და წითელი თიხის ნაგებობანი — არაბ. არქიტ. ნიმუშები: მეჩეთები, საცხოვრ. კომპლექსები, საფლავის ძეგლები და სხვ. პორტუგ. ბატონობის ხანიდან შემორჩენილია იესოს ფორტი მომბასაში (1593—94) და ვასკო და გამას ქვის სვეტი მალინდიში (დაახლ. 1598). XX ს-იდან ქ-ებში აგებენ ევრ. ტიპის შენობებს. ნაირობიში აშენდა ეროვნ. თეატრის შენობა (1952). ტექ. კოლეჯი (ახლა ეროვნ. უნ-ტი, 1956). სოფლებში ჭარბობს თიხით შელესილი და ბალახით გადახურული გეგმით მრგვალი ან სწორკუთხა კარკასული ნაგებობანი. განვითარებულია ხეზე კვეთა და ამოწვა, თიხის ჭურჭლის, სარიტუალო ტყავის ფარების დამზადება, წვნა.

ლიტ.: Владимиров Л. С., Рожденная в огне. Путь Кении к независимости, М., 1972; Кулик С. Ф., Современная Кения, М., 1972; Пегушев А. М., Кения. Очерк политической истории (1956—1969), М., 1972.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ.465.

კენიატა (Kenyatta) ჯომო (დაახლ. 1893, სოფ. იჩავერი, კენია,—22. VIII. 1978), კენიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1947 მეთაურობდა კენიის აფრიკელების კავშირის პარტიას. 1952—61 იყო პატიმრობაში. 1960 დაუსწრებლად აირჩიეს კენიის აფრიკელთა ეროვნ. კავშირის (კანუ) პარტიის (1974-იდან მუდმივ) პრეზიდენტად. 1963 ივნ.-დეკ. კენიის პირველი ეროვნ. მთავრობის პრემიერ-მინისტრი. კენიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1963 დეკ.) პრემიერ-მინისტრი; 1964 დეკ-იდან 1978 აგვ-მდე კენიის რესპ. პრეზიდენტი.

კენიგი (König) ფრიდრიხ (17. IV. 1774, აისლებენი, — 17. I. 1833), ბრტყელი ბეჭდვის მანქანის გერმანელი გამომგონებელი. 1810 მიიღო პატენტი ბრტყელი ბეჭდვის მანქანაზე, რ-საც ჰქონდა ფორმაზე ქაღალდის მისაჭერი საბეჭდი ცილინდრი. ამ მანქანის პირველი ეგზემპლარი 1814 დადგეს გაზეთ „ტაიმზის“ სტამბაში. იგი საათში იძლეოდა დაახლ. 800 ანაბეჭდს. 1814 კ-მა შექმნა ორმავი ფორმატის საბეჭდი მანქანა, შემდგომ კი — ორბრუნიანი და ორმხრივი საბეჭდი მანქანები.

კენიგსბერგი (Königsberg), რსფსრ კალინინგრადის ოლქის ცენტრის ქ. *კალინინგრადის* სახელწოდება 1946-მდე.

კენიტრა, მ ი ნ ა-პ ა ს ა ნ-ტ ა ნ ი (ყოფ. პ ო რ ტ-ლ ი ო ტ ე), ქალაქი დას. მაროკოში. კენიტრის პროვ. ადმ. ცენტრი. 139 ათ. მცხ. (1971). რკინიგზის სადგური. სას.-სამ. რ-ნის სამრეწვ.-სატრანსპ. ცენტრი. ნავსადგური მდ. სებუს შესართავთან (გააქვთ საადრეო ბოსტნეული, ზეითუნის ზეთი, ღვინო და სხვ.). კვების (უმთავრესად საკონსერვო, საფქვავი), საფეიქრო, ლითონდასამუშ. და ქიმ. მრეწვ. საწარმოები.

კენკიშვილი გივი ილიას ძე (დ. 5. VII. 1928, სოფ. ჩუმლაყი, გურჯაანის რ-ნი), გურჯაანის რ-ნის სოფ. ჩუმლაყის კალინინის სახ. კოლ-ბის მევენახეთა ბრიგადის ბრიგადირი. სკკპ წევრი 1958-იდან. 1977 საკავშ. სოციალ. შეჯიბრებაში თვალსაჩინო შრომითი მიღწევებისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კენკრა (bacca, uva), მცენარის უხსნადი მრავალთესლიანი, იშვიათად ერთთესლიანი ნაყოფი. მომწიფებისას მთელი ნაყოფსაფარი წვნიანია, ეგზოკარპიუმი — თხელკანიანი. კ. აქვს ვაზს, ხურტკმელს, მოცხარს, შტოშს და სხვ. ყოველდღიურ ცხოვრებაში მარწყვის (რთული კაკლუჭა), ჟოლოსა (რთული კურკიანა) და ლელვის (ნაყოფედი) ნაყოფს ხშირად უმართებულოდ კ-ს ეძახიან.

კენკროვანი კულტურები, ჯგუფი ველური და კულტურული მრავალწლოვანი მცენარეებისა (ბუჩქები, ნახევრადბუჩქები, ბალახები), რომელთაც საჭმელად ვარგისი ნაყოფი ე. წ. კენკრა აქვთ. ევროპის ქვეყნებში კულტურაში უმეტესად გავრცელებულია მარწყვი, ხურტკმელი, მოცხარი, ჟოლო. სსრკ ევრ. ნაწილში — მარწყვი და შავი მოცხარი, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში — შავი მოცხარი. საქართველოში უმეტესად მოჰყავთ მარწყვი. კენკრა შეიცავს ადამიანის კვებისათვის მნიშვნელოვან ორგ. მჟავებს, შაქარს, მინერ. მარილებს, ვიტამინებსა და არომატულ ნივთიერებებს. იხმარება ნედლად, გაყინული, გამხმარი; ამზადებენ მურაბას, ჯემს, კომპოტს, სასმელს, მარმელადსა და სხვ. ზოგი კ. კ-ის ნაყოფს (მოცვი, ჟოლო, შავი ცირცელი) სამკურნალოდ იყენებენ. კ. კ. ადვილად მრავლდება, ადრე იწყებს მსხმოიარობას (მარწყვი მე-2 წელს, ჟოლო —მე-3, მოცხარი და ხურტკმელი მე-3—მე-4 წელს)

და ყოველწლიურად იძლევა მაღალ მოსავალს. მრავლდება ვეგეტატიურად — კალმით, გადაწიფვნით, ბუჩქის დაყოფით, ამონაყრითა და პწკალით. საწარმოო პლანტაციებს აშენებენ ისეთ ნაკვეთებზე, რ-ებიც დაცულია ქარისაგან, სწორია ან ოდნავ დაფერდებული. საქართველოში მარწყვის პლანტაციებს აშენებენ ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე (როცა ნიადაგის ტემპ-რა 0—20 *სმ* სიღრმეზე 8°C-ზე მეტია). კ. კ-ის პლანტაციების მოვლა ითვალისწინებს ნიადაგის დამუშავებას, მცენარეთა დაცვას მავნებლებ-დაავადებებისაგან, გასხვლას, პწკალის შეცლას და სხვ.

კ. კ-ის ასორტიმენტი დიდია. სსრკ-ში კ. კ-ის ჯიშები დარაიონებულია ბუნებრივი და ეკონ. პირობების მიხედვით. მთაში, ტყეში, ჭაობსა და ველზე უხვადაა ველურად მოზარდი კენკროვნები, რ-თა ნაყოფს აგროვებენ და ხმარობენ საჭმელად; მათ კულტ. ფორმებთან შესაჯვარებლადაც იყენებენ. *ლ. ლაზარეიშვილი.*

კენკროვანნი (Thymelaeaceae), ფურცლებგანცალკევებულ ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. უმრავლესობა ბუჩქი ან ტანდაბალი ხეა. მცირე ნაწილი კი — ბალახი. აქვთ კიდემთლიანი პატარა და ვიწრო ფოთლები, ორსქესიანი აქტინომორფული ყვავილები, კაშკაშა ჯამი და ყვავილსაჯდომი. გვირგვინის ფურცელი ან არა აქვთ ან ძალზე პატარაა და ქერქლისებრი. ნაყოფი კაკლუჭა ან კურკიანაა. ოჯახში 50-მდე გვარი და 600-მდე სახეობაა. ძირითადად გავრცელებულია ავსტრალიასა და სამხრ. აფრიკაში. ბევრი სახეობის ქერქში არის ლაფნის ბოჭკო. სსრკ-ში 7 გვარის 40-მდე სახეობა, საქართველოში 3 გვარის 8 სახეობაა, მ. შ. *მაჯალევრიც.*

კენო (Queneau) რაიმონ (ნამდვ. სახელი მიშელ პრელი) (დ. 21. II. 1903, ჰავრი), ფრანგი მწერალი. გონკურების აკად. წევრი 1951-იდან. განიცადა სიურრეალიზმის გავლენა. კ-ს შეხედულებები ისტორიაზე, ცივილიზაციასა და, საერთოდ, ადამიანზე უკიდურესად პესიმისტურია. მის პოეზიას გასდევს ბედისწერის გარდუვალობის მოტივი (კრებულები „პატარა პორტატიული კოსმოგონია", 1950; „თუ შენ ფიქრობ", 1952; „მანდოლინიანი ძაღლი", 1965 და სხვ.). კ-ს რომანებიდან აღსანიშნავია „დაბრკოლება" (1933), „ქვის ხახა" (1934—41), „ოდილი" (1937), „ხუსხიანი ზამთარი" (1942), „ზაზი მეტროში" (1959) და სხვ.

კენოტაფი (ბერძნ. kenotaphion<kenos—ცარიელი და taphos — სამარხი), სამარხი ნაგებობა. აშენებდნენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ძვ. საბერძნეთი, რომი, შუა აზია, ეგვიპტე და სხვ.), უმეტესად იმ შემთხვევაში, როცა რაღაც მიზეზის გამო მიცვალებულის დამარხვა არ შეეძლოთ (დაკარგული ან შორს იყო და სხვ.). ეს ჩვეულება დაკავშირებული იყო რწმენასთან, თითქოს მიცვალებულის სული სამარხის გარეშე ვერ მოისვენებდა. ძვ. ეგვიპტეში სამეფო კ-ებს რიტუალური დანიშნულება ჰქონდა.

კენოტრონი [ბერძნ. kenos — ცარიელი და (*ელექ*) *ტრონი*], *ელექტროვაკუუმიანი დიოდი*, რ-ის დანიშნულებაა უმთავრესად სამრეწველო სიხშირის ცვლადი დენის გამართვა. იყენებენ რადიომიმღების, მაძლიერებლისა და საზომი ხელსაწყოების გამმართველებში, რენტგენის დანადგარებში და ა. შ.; დაბალძაბვიან კ-ს აქვს უშუალო ვარვარის ან შესათბობი ოქსიდური კათოდები და მოსევადებული ან დამჭრქალებული წიბოვანი ანოდები, მაღალძაბვიან კ-ს კი — დენის ოქსიდური ან დაკარბიდებული კათოდი და ერთი მოსევადებული წიბოვანი ანოდი. დაბალძაბვიანი კ. თანდათანობით ნახევრადგამტარიანი დიოდებით იცვლება.

კენტავრები (Kentauroi), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ან მთის დემონები, ცხენკაცები, *დიონისეს* თანამგზავრები. მითის ერთი ვერსიის მიხედვით, თესალიელი ტომები, რ-ნიც ცხენიდან არასოდეს ჩამოდიოდნენ; ჰომეროსთან — თესალიელი მთიელი ტომები, უხეში, თმახუჭუჭები, გაბურძგნილები, ღვინისა და ქალების შმაგი მოყვარულნი. კ-იდან განსაკუთრებით განთქმული იყო ბრძენი და სამართლიანი, გმირების — აქილევსის, კასტორის, პოლიდევკეს და სხვ. — აღმზრდელი ქირონი. ცნობილი იყო კ-ის ბრძოლა თესალიელ ტომებთან — ლაპითებთან, აგრეთვე ჰერაკლეს შერკინება კ-თან. კ-ს გამოსახავდნენ ადამიანის თავით და ცხენის ტანით. არკადიაში, აპოლონის ტაძრის ფრიზზე, გამოსახულია კ-ის და ლაპითების ბრძოლის სცენა (*რელიეფი*).

კენტავრი (ლათ. Centaurus), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*. მისი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები 0,06 და 0,6 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა*. კ-შია მზის სისტემის უახლოესი ვარსკვლავები: კ-ის უახლოესი (მანძილი 1,31 *პს*) და ფიზ. წყვილის შემადგენელი კენტავრის α ვარსკვლავის A და B კომპონენტები (1,33 *პს*). დასაკვირვებლად საუკეთესო პირობებია მარტ-აპრილში. ნაწილობრივ ჩანს სსრკ სამხრ. რ-ნებიდან, მ. შ. საქართველოდანაც.

კენტერბერი (Canterbury), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისში, კენტის საგრაფოში. 116 ათ. მცხ. (1976). ტყავის, კვების, ელექტროტექ., პოლიგრ. მრეწვ. პატარა საწარმოები. კ. დაარსდა კელტური დასახლების ადგილზე, შემდეგ რომაელთა ბანაკი იყო. VI ს-ში ანგლოსაქსთა სამეფოს — კენტის დედაქალაქი. აქ არის უძველესი საეპისკოპოსო კათედრა და სააბატო (დაარსდა 597). კენტერბერის არქიეპისკოპოსი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია.

ქალაქის დაგეგმარება თითქმის სწორკუთხაა. მდიდარია შუა საუკ. ხუროთმოძღვრული ძეგლებით (ეკლესიები, ლაზარეთები, საცხოვრ. სახლები). კ-ის ტაძარი (1070—1503) მთავარი ანგლიკანური ეკლესიაა. მისი პატრონიკე (1175—84, არქიტ. გილიომ სანსელი) ადრინდ. გოტიკურ ხანას მიეკუთვნება, ნავი (დაახლ. 1377—1411)— გვიანდ. გოტიკურს. რომანული კაპელა-როტონდა — „გვირგვინი" (დაახლ. 1200) ცვლის აფსიდს. სამეფო მუზეუმში კენტის სიძველეთა სამხატვრო გალერეაა.

კენტი (Kent) როკუელ (21. VI. 1882, ტარიტაუნი, ნიუ-იორკის შტ., — 13. III. 1971, პლატსბერგი, იქვე), ამერიკელი მხატვარი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ფერწერას სწავლობდა რ. ჰენრისთან. მუშაობდა მეთევზედ, დურგლად. ბევრს მოგზაურობდა. ცხოვრობდა ნიუფაუნდლენდში, გრენლანდიაში. კ-მა განაკვეთარა ამერ. რეალისტური ხელოვნ. ტრადიციები. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მკაცრი კოლორიტი, მკაფიო ნახატი. ნამუშევრები: „ზღვის მაშვრალნი" (1907, ნიუ-ბრიტენის მუზეუმი), „გაზაფხულის ციებ-ცხელება" (1908, ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნ. მუზეუმი, მოსკოვი). გააფორმა ამერ., დასავლეთევრ., რუსი მწერლების, აგრეთვე საკუთარი ნაწარმოებები. 1960 კ-მა საბჭ. ხალხს აჩუქა 900-ზე მეტი საკუთარი ნამუშევარი.

კ-ის წიგნების უმეტესობა ასახავს მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს: „ველურ ქვეყანაში" (1920), „მოგზაურობა" (1924), „კურსი N by E" (1930), „სალამინა" (1935); აქვს ავტობიოგრ. წიგნები: „ეს ჩემი საკუთარია" (1940) და „ეს მე ვარ, უფალო" (1955). ძირითადი ნაწილი წიგნისა „ადამიანებისა და მთების შესახებ" (1959) სსრკ-ში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს. კ. მშვიდობის დაცვის I მსოფლიო კონგრესის (პარიზი-პრაღა, 1949) მონაწილეა, საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის დელეგატი (მოსკოვი, 1962), სტოკჰოლმის მოწოდების ინიციატორი და ავტორი (1950, მარტი), მსოფლიო მშვიდობის საბჭოს წევრი (1955-იდან), ამერიკა—სსრკ-ის მეგობრობის ეროვნ. საბჭოს თავ-რე (1957-იდან). სსრკ სამხატვრო აკად. საპატიო წევრი (1962). „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემია (1967).

რ. კენტი.

კენტი რიცხვი, მთელი რიცხვი, რ-იც არ იყოფა 2-ზე. მაგ., ± 1, ± 3, ± 5 და ა. შ. ყოველი კ. რ. შეიძლება წარმოვადგინოთ $2n+1$ ან $2n-1$ სახით, სადაც n მთელი რიცხვია.

კენტუკი (Kentucky), შტატი აშშ-ის სამხრ. ნაწილში. ფართ. 104,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 3,4 მლნ. კაცი (1975), მ. შ. 50%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. ფრანკფორტი. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს კამბერლენდის პლატოს (სიმაღლე 200—450 *მ*), რ-იც დანაწევრებულია მდ-ების კამბერლენდის, გრინ-რიეერისა და კენტუკის ღრმა ხეობებით. დამახასიათებელია რელიეფის კარსტული ფორმები (აქაა *მამონტის მღვიმე*). შტატის დას. და ჩრდ.-დას. ნაწილი უჭირავს ვაკეს. ჰავა ზომიერია, ნოტიო.

კ. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. განვითარებულია ქიმ., ელექტროტექ., მანქანათაშ. და კვების მრეწველობა. აქ არის აშშ-ის ატომური მრეწვ. ერთ-ერთი ცენტრი პადიუკა. იღებენ ქვანახშირს, ნავთობს, სამშენებლო ქვას, ფლუორიტს, ბუნებრივ აირს.

მთავარი სასაქონლო კულტურაა თამბაქო. მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი, საკვები ბალახი, სოია, ხორბალი. განვითარებულია სახორცე-სარძეო მეცხოველეობა, მეგბაღეობა. სანაოსნოა მდ. ოჰაიო.

რ. კენტი. „ჩემი იმპრეზიზირებული პორტრეტი" 1923.

კენტჩლიქოსნები (Perissodactyla), ძუძუმწოვრების რიგი. ტანად დიდი, იშვიათად საშუალო ზომის ცხოველებია. კიდურების მთავარი ღერძი ყოველთვის მე-3 თითზე გადის, რ-იც სხვებზე მეტადაა განვითარებული და სხეულის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. თითის ბოლო ფალანგები ჩლიქითაა დაფარული. აქვთ ზედა საჭრელი კბილები, მარტივი კუჭი, ბარძაყის ძვალზე მე-3 ციბრუტი (წყვილ-ჩლიქოსანთაგან განსხვავებით). ლავიწი და ნაღვლის ბუშტი არ გააჩნიათ. გავრცელებული არიან აზიაში, აფრიკაში, სამხრ. და ცენტრ. ამერიკაში. ბინადრობენ უდაბნოში, ველზე, ტყე-ველზე და სხვ. ცხოვრობენ ერთეულებად, ზოგჯერ მცირე ჯგუფებსაც ქმნიან. სწრაფად დარბიან, იკვებებიან მცენარეულობით. განგური — წელიწადში 2-ჯერ. პოლიგამიური ცხოველებია. შობენ კარგად განვითარებულ 1 ნაშიერს. ცნობილია თანამედროვე კ-ის 3 ოჯახი: *ცხენისებრნი, მარტორქისებრნი* და *ტაპირისებრნი*. კ-ის მოშინაურებული ფორმები (ცხენი, ვირი) მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. სარეწაო ცხოველებია. ყველგან იცავენ.

კენტერბერი. ტაძარი. 1070—1503.

ი. კეპლერი.

კერა. ხიზანაანთ გორა. ძვ. წ. 2800—2700 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

კეინჯაკლდე, სოფელი დუშეთის რ-ნში (ხეობის სოფსაბჭო), ქართლის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1280 *მ*, დუშეთიდან 30 *კმ*. არაგვისპირის მეხილეობა-მევენახეობის საბჭ. მეურნ. (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ხეობაში (7 *კმ*).

კეინჭისყარა, იხ. სტ. *ხმის მიცემა*.

კეინჭიყარა, მთა თრიალეთის ქედის დას. ნაწილში, ციხისჯვრის შტოქედზე, მდ-ების ქციის ზემო დინებისა და გუჯარეთისწყლის წყალგამყოფზე. სიმაღლე 2349 *მ*. აგებულია კაინოზოური თიხებით, ქვიშაქვებითა და მერგელებით. შემოსილია მეორეული სუბალპ. მდელოებით.

ლ. მარუაშვილი.

კეპპენი (Koeppen, Köppen) ვოლფგანგ (დ. 23. VI. 1906, გრაიფსვალდი), გერმანელი მწერალი (გფრ). თავის სატირ.-აგრესიულ და ანტიბიურგერულ-ნონკონფორმისტულ რომანებში თემატურ-იდეურად აგრძელებს ჰ. *მანის* ხაზს; გამომსახველი საშუალებებისა და პოეტიკის სფეროში ავითარებს ჯ. *ჯოისის*, ჯ. *დოს პასოსის*, ა. *დებლინის* ხერხებს („ცნობიერების ნაკადი", მონტაჟის ტექნიკა, ასოციაციური სტილი, „კონტრაპუნქტის მეთოდი" და სხვ.). კ-ის მთავარი რომანებია „უიღბლო სიყვარული" (1934), „გალავანი ირყევა" (1935), „მტრედები ბალახში" (1951), „სათბური" (1953), „სიკვდილი რომში" (1954) და სხვ.

კეპლერი (Kepler) იოჰანეს (27. XII. 1571, ვაილ-დერ-შტადტი, ვიურტემბერგი, — 15. XI. 1630, რეგენსბურგი, ბავარია), გერმანელი ასტრონომი, რ-მაც პლანეტათა მოძრაობის კანონები აღმოაჩინა. დაიბადა ღარიბ ოჯახში, სწავლობდა სამონასტრო სკოლაში, შემდგომ სას. სემინარიაში, განათლება დაასრულა ტიუბინგენის აკადემიაში. მისი მასწავლებელი იყო მ. მესტლინი, რ-მაც პირველმა გააცნო კ-ს კოპერნიკის მოძღვრება სამყაროს ჰელიოცენტრულ სისტემაზე. კ-ს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი, მაგრამ ბრალად ედებოდა თავისუფალი აზროვნება და აუკრძალეს ღვთისმსახურება. მათემატიკას ასწავლიდა გრაცის (ავსტრია) გიმნაზიაში; იქ შექმნა თავისი პირველი თხზულება „სამყაროს საიდუმლოება". ეკლესიისაგან დევნილი 1600 გადასახლდა ქ. პრაღაში, სადაც მოღვაწეობდა ცნობილი ასტრონომი ტ. *ბრაჰე*, რ-საც დაგროვილი ჰქონდა პლანეტების მოძრაობაზე მრავალი წლის დაკვირვების შედეგად მიღებული მასალა. ბრაჰეს სიკვდილის შემდეგ (1601) ეს მდიდარი მასალა კ-ის ხელთ მოექცა და მისი შესანიშნავი აღმოჩენის საფუძველი გახდა. 1609 კ-მა გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი თხზულება „ახალი ასტრონომია", რ-იც მარსის მოძრაობისადმი იყო მიძღვნილი და პლანეტების მოძრაობის პირველ ორ კანონს შეიცავდა (იხ. *კეპლერის კანონები*). 1619 ქ. ლინცში გამოაქვეყნა ახ. თხზულება „სამყაროს ჰარმონია", რ-შიც მესამე კანონი ჩამოყალიბა. იმავე წელს გამოსცა ტრაქტატი „კომეტების შესახებ", სამი წლის შემდეგ დაასრულა სამნაწილიანი თხზულება „კოპერნიკისეული ასტრონომიის შემოკლება", რ-შიც დაასაბუთა, რომ მარსისათვის დადგენილი მოძრაობის პირველი ორი კანონი სამართლიანია ყველა პლანეტისათვის და დედამიწის გარშემო მთვარის მოძრაობისათვის, ხოლო მესამე კანონი იუპიტერის ოთხი თანამგზავრის მოძრაობასაც მიუდგება. ამავე თხზულებაში გადმოსცა მზისა და მთვარის დაბნელების თეორია, მისი წინასწარი გაანგარიშების ხერხი და სხვ. ამასთან, დააზუსტა მზესა და დედამიწას შორის მანძილი.

ვატიკანმა, რ-იც ებრძოდა კოპერნიკისეულ მოძღვრებას, აკრძალა კ-ის თხზულებანი, რ-ებშიც ავტორი მრავალმხრივ ასაბუთებდა ამ მოძღვრების ჭეშმარიტებას. პლანეტების მოძრაობის სამი კანონის ჩამოყალიბება ნოვატორული იყო იმითაც, რომ ამ კანონების მიხედვით ორბიტების ფორმა ელიფსური იყო, რაც უარყოფდა არისტოტელეს დროიდან გაბატონებულ წარმოდგენას, რომ ცის სხეულების მოძრაობა მხოლოდ წრიული და თანაბარია. კ-ის კანონები მყარ საფუძველად დაედო პლანეტების მოძრაობის ყველა შემდეგდროინდელ გამოკვლევას და მათ მდებარეობათა წინასწარ გამოთვლას. ამ საკითხს კ-მა მიუძღვნა 1627 დამთავრებული ნაშრომი „რუდოლფისეული ცხრილები", რ-ის საფუძველზე მან იწინასწარმეტყველა ვენერას გავლა მზის დისკოზე, რაც 1631 მოხდა.

კ-ს ჰქონდა სხვა შრომებიც, მაგ., შრომა ოპტიკისა და ასტრონ. რეფრაქციის საკითხებზე, მათ. ნაშრომი „ღვინის კასრების ახალი სტერეომეტრია", რ-იც იმ დროს არარსებული უსასრულოდ მცირეთა ანალიზის ჩანასახს შეიცავდა. კ-ის მოღვაწეობამ დიდი პროგრ. როლი შეასრულა ასტრონ. ისტ. განვითარებაში.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მძიმე იყო კ-თვის. კათოლ. ეკლესიის მიერ დევნილი პროტესტანტი სხვადასხვა ქალაქში ეძებდა თავშესაფარს, არსებობის საშუალების ძიებაში ასტროლოგიასაც მიჰყო ხელი.

თხზ.: Gesammelte Werke, Bd. 1—18, Münch., 1937—69.

ლიტ.: ჯ ი ქ ი ა დ, იოჰან კეპლერი (დაბადების მე-400 წლისთავის გამო), თბ., 1971.

კეპლერის კანონები, ი. *კეპლერის* მიერ აღმოჩენილი 3 კანონი, რ-ებშიც აღწერილია ცთომილების მოძრაობა მზის სისტემაში. შემდგომში ნიუტონის მიერ მსოფლიო მიზიდულობის კანონის საფუძველზე ამ მიმართულებით მიღებულ იქნა უფრო ზოგადი ხასიათის კანონები, რ-თაც კეპლერის განზოგადებულ კანონებს უწოდებენ. პ ი რ ვ ე ლ ი კ. კ.: შეუშფოთებელი მოძრაობის შემთხვევაში (ე. წ. ორი სხეულის ამოცანა) მოძრავი წერტილის ორბიტა წარმოადგენს მეორე რიგის წირს (კონუსურ კვეთას), რ-ის ერთ-ერთ ფოკუსში მიზიდულობის ძალის ცენტრი მდებარეობს. მ ე ო რ ე კ. კ.: შეუშფოთებელი მოძრაობისას მოძრავი წერტილის რადიუს-ვექტორის მიერ აღწერილი ფართობი დროის პროპორციულად იზრდება. მ ე ს ა მ ე კ. კ.: ორი მატერიალური წერტილის შეუშფოთებელ ელიფსურ ორბიტებზე მოძრაობისას მათი გარემოქცევის T_1 და T_2 პერიოდების კვადრატების ნამრავლები ცენტრალური m_0 და მოძრავი წერტილების m_1 ან m_2 მასათა ჯამზე ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მათი ორბიტების a_1 და a_2 დიდი ნახევარღერძების კუბები, ანუ $\frac{T_1^2(m_0+m_1)}{T_2^2(m_0+m_2)} = \frac{a_1^3}{a_1^3}$.

ეს კანონი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ცთომილთა მასები, ორჯერად ვარსკვლავთა მასების ჯამი და სხვ., ზოგჯერ კი — მნათობთა მანძილებიც (ე. წ. დინამ. პარალაქსები).

კეპლერმა 1-ლი და მე-2 კანონი დაადგინა მზის გარშემო ცთომილის ელიფსური ორბიტისათვის. მე-3 კანონის კეპლერისეული ფორმა მიიღება ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან, თუ პლანეტების m_1 და m_2 მასებს უსასრულოდ მცირედ მივიჩნევთ მზის m_0 მასასთან შედარებით. სამივე კანონი კეპლერმა ცთომილების მოძრაობებზე დაკვირვებიდან ემპირიულად გამოიყვანა. ორი კანონი მან გამოაქვეყნა თავის ძირითად ნაშრომში „ახალი ასტრონომია" 1609. მე-3 კანონი აღმოაჩინა 10 წლის შემდეგ და გამოაქვეყნა „სამყაროს ჰარმონიის" V წიგნის III თავში. პირველი ორი კანონის საშუალებით კეპლერმა შეადგინა ცთომილთა მოძრაობის იმ დროისთვის ყველაზე ზუსტი ცხრილები („რუდოლფისეული ცხრილები") და 1627 გამოაქვეყნა. ამ ცხრილებით სარგებლობდნენ XVII—XVIII სს-ში. აღსანიშნავია კეპლერის შრომების მეთოდოლ. სიახლე: იგი ასტრონ. ისტორიაში პირველი იყო, რ-მაც ცთომილების ორბიტები (ელემენტები) უშუალოდ დაკვირვების საფუძველზე განსაზღვრა.

ლიტ.: Д у б о ш и н Г. Н., Небесная механика. Основные задачи и методы, 2 изд., М., 1968; С у б б о т и н М. Ф., Введение в теоретическую астрономию, М., 1968.

ნ. მაღნარაძე.

კერა, 1. ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი საცხოვრებელში. მისი გამოყენება ადამიანმა ისწავლა განვითარების ადრინდ. საფეხურზე. ფიქრობენ, რომ 2000000 — 1800000 წლის წინ ცეცხლს იყენებდა უძველესი ადამიანი ე. წ. ზინჯანთროპი, რ-ის ნაშთები აღმოჩენილია ტანზანიაში, ოლდოვაის ხეობაში (ლუის ლიკის გათხრები), ჩინეთში, ჯოუ-ქოუტიანის მღვიმეში, აშელური ხანის ადამიანის — სინანთროპის ნამოსახლარში აღმოჩნდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივი ცეცხლის კვალი და ქვებისაგან მოწყობილი კ-ის ნაშთები. აშელური ხანის კ-ის ნაშთები მიკვლეულია დას. ევროპაშიც. მუსტიეს ხანიდან კ. გვხვდება ადამიანის ყველა ნამოსახლარში. ცნობილია კ-თან მიცვალებულთა დაკრძალვის შენთხვევებიც.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი უძველესი კ. (გარკვეულად განლაგებული ქვები, ორმო, რ-საც ცეცხლის კვალი ეტყობა) გვხვდება ადრინდ. მუსტიეს ხანაში (ნოფი, ბრინჯაოს მღვიმე), გვიანდ. მუსტიეს ხანაში (ჯრუჭულის მღვიმე) და ზედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებში (დევისხვრელი და სხვ.). შულავერში, იმირში და ხრამის დიდ გორაზე (ძვ. წ. VI—V ათასწლ.) ნაგებობებში და ზოგჯერ მის გარეთაც გვხვდება თიხის კ-ები ხრამის დიდ გორაზე კ-ებში ნაპოვნია თიხის ანთროპომორფული ქანდაკებანი (ერთ მათგანში 17). გამომწვარი თიხის კ-ები გვხვდება *მტკვარ-არაქსის კულტურის* (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ.— III ათასწლ. დასაწყ.) ძეგლებში (ოზნი, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.). წრიული ფორმის თიხის გამომწვარ კ-ს შიგა მხარეს აქვს რამდენიმე შეერილი. კ-ებს იყენებდნენ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად. ამავე დროს ის ოჯახის წმინდა, საკულტო ადგილიც იყო. იქ სრულდებოდა სხვადასხვა რელიგ. რიტუალი, ცდილობდნენ მასში ცეცხლი არ გამქრალიყო. კ-ები გვხვდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. — I ათასწლ. დასაწყ.) ნამოსახლარებში (ხოვლეგორა, დიღომი). ფეოდ. ხანის თიხის კ-ებია ურბნისში (IV—VIII სს.), დმანისში (XI—XIII სს.) და სხვ.; ქვით ნაგები კ-ები — არახლოზე (XII—XIII სს.), ქოჩულოში (XII—XIII სს.) და სხვ. გვიანდ. ფეოდ. ხანაში მას ზოგჯერ თონე ცვლიდა. საქართველოში თონის მსგავსი უძველესი კ-ები აღმოჩენილია სამადლოსა და ციხეგორაზე (ძვ. წ. IV—III სს.). დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა კ-ის სხვადასხვა ფორმა — მრგვალი, სწორკუთხედი, ორმოსებრი, მიწის ზედაპირზე გამართული და ა. შ. მრგვალ საცხოვრებელში კ. ჩვეულებრივ შუა ადგილზე იყო (ნენები, ევენკები და ჩრდ. სხვ. ხალხები), სწორკუთხედებში — კედლის ახლოს, ზოგჯერ შესასვლელის პირდაპირ (დაღ. ხალხები), გარდამავალ ტიპადაა მიჩნეული კედლისპირა კ., რ-ისგანაც შემდგომში ბუხარი განვითარდა.

ქართვ. ხალხის ძვ. საცხოვრებელ ნაგებობებში (მთის სახლი, დას. საქართვ. ოდა, დარბაზული სახლი) კ. საცხოვრებლის ცენტრში იყო გამართული. აქ შედიოდა ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი — ყვერბი, პურის გამოსაცხობი ითხფეხა კ. (სვანეთი), ჯაჭვის ჩამოსაკიდებელი — აყარი და სასანთლე — საკვარე. კ-თან სრულდებოდა სხვადასხვა საწესო ჩვევები, მაგ., პატარძლის წაღმა დაბრუნება, მესისხლეთა შერიგება და სხვ.

2. გადატანითი მნიშვნელობით ოჯახი, სახლი, სახლ-კარი (გამოთქმები კ-ის დავსება, კ-ის გაცივება, კ-ის დანგრევა და სხვ.).

3. ადგილი, სადაც რაიმე მოვლენა ან მოძრაობა იწყება და ვრცელდება.

ლიტ.: ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი მ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; ჩ ი ტ ა ი ა გ., გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, «მიმიმხილველი», 1926, ტ. 1.

ნ. ვაჩეიშვილი,
მ. ჩართოლანი.

კერალა, შტატი სამხრ.-დას. ინდოეთში, არაბეთის ზღვის სანაპიროზე. ფართ. 38,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 23,5 მლნ. კაცი (1975), უმთავრესად მალაიალი. ადმ. ც. — ქ. ტირუვანანტაპურამი (ტრივანდრამი). კ. ინდ. შტატებს შორის მოსახლ. სიმჭიდროვით I ადგილზეა. შტატის დიდი ნაწილი უჭირავს *მალაბარის ნაპირს*. ალმ-ით მთებია (სიმაღლე 2698 *მ*-მდე). ჰავა ტროპ., მუსონურია. ნალექები 3000 *მმ*-მდე წელიწადში.

კ. აგრ. შტატია. თითქმის მთელი მალაბარის ნაპირი უჭირავს ქოქოსის პალმას და ბრინჯის ნათესებს. კ-ის წილად მოდის მთელი ქვეყნის ქოქოსის ნარგავების 70%-ზე მეტი (სახელწ. „კ". მალაიალურ ენაზე—„ქოქოსის პალმის ქვეყანა"). აშენებენ აგრეთვე აკაჟუს. კ. მსოფლიო ბაზარს აწვდის პილპილს, ხმელ კოჭას, ილს და სხვ. შტატში არის კაუჩუკოვანთა (ჰევეა), ჩაის, ყავის პლანტაციები. განვითარებულია საშენ მასალათა წარმოება, კვების მრეწვ., არის აგრეთვე ალუმინის, ბამბეულის, ხის დასამუშ., რეზინის, მანქანათსამ., ლითონდასამუშ., ქიმ., ნავთობგადასამუშ. მრეწვ. საწარმოები.

უძველეს დროს კ-ის ტერიტორიაზე შეიქმნა სახელმწ. ჩერა, რ-იც წყაროებში ძვ. წ. III ს-იდან იხსენიება. 1498 ინდოეთში პირველად აქ მოვიდნენ პორტუგალიელები. 1663 ზოგიერთ რ-ნში ჰოლანდიელები დამკვიდრდნენ. XVIII ს. შუა წლებიდან პორტუგალიელები ფრანგებმა განდევნეს. ამავე დროს გაჩნდა ინგლ. ფაქტორიები. XVIII ს. შუა წლებში კ-ის სამხრ. ნაწილში ტრავანკურის სამთავრო იყო, ხოლო ჩრდ. ნაწილი დაპყრობილი ჰქონდა მაისურს. 1792 კ-ის ჩრდ. ნაწილი ინგლ. ოსტინდოეთის კომპანიის სამფლობელოებს შეუერთეს, ხოლო ტრავანკურისა და კოჩინის სამთავროები კომპანიის ვასალები გახდნენ.

ინდ. დამოუკიდებლობის (1947) შემდეგ ამ სამთავროებმა შექმნეს ტრავანკურ-კოჩინის შტატი, რ-ის საფუძველზე 1956 შეიქმნა კ-ის შტატი (იხ. *ინდოეთი*, ისტ. ნარკვევი).

კერამზიტი (<ბერძნ. keramos — თიხა), ფორიანი უჯრედოვანი სტრუქტურის მქონე მსუბუქი გრანულირებული მასალა, რ-იც მიიღება ადვილდნობადი თიხოვანი ქანების გამოწვით მათ აფუებამდე (1100—1200°C). ამზადებენ ხრეშისა (მარცვლები 5—40 *მმ*) და ქვიშის (მარცვლები 5 *მმ*-ზე ნაკლები) სახით: წარმოადგენს შემავსებს მსუბუქი ბეტონის წარმოებაში; უფრო იშვიათად იყენებენ თბო- და ბგერათსაიზოლაციო ჩანაყარად შენობათა კონსტრუქციებში. კ-ის ხრეშის სიმკვრივეა 150—800 *კგ/მ*³, სიმტკიცე კუმშვისას — 0,3—6 *მეგპა* (3—60 *კგძ/სმ*²), წყალშთანთქმა — 10—25%, ყინვამედეგობა — შენაცვლებითი გაყინვა-გალღობის არანაკლებ 15 ციკლისა.

კერამიკა (ბერძნ. keramikē — სამეთუნეო ხელოვნება, გამომწვარი თიხის ნაკეთობები < keramos — თიხა), სუფთა ან მინერალურ და ორგანულმინარევებიანი თიხის გამომწვარი ნაკეთობანი: საყოფაცხოვრებო ნივთები (ჭურჭელი და სხვ. სამომხმარებლო საგნები), სამშენებლო და სამეურნეო მასალა (კრამიტი, შორენკეცი, ფილები, მილები, ელექტრო- და სითბოსაიზოლაციო, სატრანსპ., სანიტ. მოწყობილობანი და დეტალები), ხელოვნ. ნიმუშები (ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება). მზა ნაწარმის ძირითადი ტექ. თვისებებია მეტნაკლები ქვისებური სიმაგრე, წყალგაუმტარობა, ცეცხლგამძლეობა, იზოლაციის უნარი. მხატვრული კ-ის ძირითადი ტექნოლ. სახეებია ტერაკოტა, მაიოლიკა, ფაიანსი და ფაიფური, რ-თაც იყენებენ სამშენებლო-დეკორ. ხელოვნებაში, მრეწველობაში, ტექნიკაში და აგრეთვე სანიტ-ტექ. მიზნით.

ისტორიულად ამა თუ იმ ქვეყანაში კ-ის წარმოების დონეს საწარმოო ძალთა განვითარება განსაზღვრავდა. მის ცალკეულ დარგებს გარკვეული ისტორია აქვს; ყველაზე დიდი ხნის ისტორია თიხის ჭურჭელს ჰქონდა, იგი საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ფორმების, ორნამენტული სტილის, დამზადების ტექ. და თიხის ტექნოლ. თავისებურებათა გამო ცალკეული ხალხებისა და ისტ. ეპოქების შესასწავლად კ. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტ. წყაროს წარმოადგენს. კ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს გვაროვნ. და წინაისტ. საზ-ბის შესწავლისას. განათხარ უძველეს ნამოსახლარებზე და სამარხებში თითქმის ყველგანაა აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი, რ-ის თავისებურებას ხშირად გადამწყვეტი

კერამიკა. ზ. მ ა ი ს ურ ა ძ ე. „ჯიხვი". დეკორატიული ჭურჭელი. ანგობი. ფერადი ჭიქური. 1964. კერამიკისა და „XVIII საუკუნის კუსკოვოს მამულის" მუზეუმი. მოსკოვი.

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კ ე რ ა მ ი კ უ ლ ნ ა კ ე თ ო ბ ა თ ა კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა

დანიშნულება	კერამიკის ტიპი	საწყისი მასალა	გამოწვის ტემპერატურა °C	ნ ა კ ე თ ო ბ ა ნ ი
ფორიან, ნაწილობრივ შეცხობილ ნაკეთობათა კლასი (წყალშთანთქმა—15%-მდე)				
სამშენებლო კერამიკა: საკედლე მასალა	დიდფორიანი, ტლანქმარცვლოვანი	თიხა, ქვიშა და სხვა დამამჭლეველი მასალა	950 — 1150	თიხის აგური და ღრუ ბლოკები (ქვები)
		თიხა და ქვიშა	950 — 1150	კრამიტი
საბურულე მასალა	იგივე	პლასტიკური და პიროდნობადი		
შესამოსი მასალა	იგივე	თიხა, შამოტი, კვარცის ქვიშა, მინდვრის შპატი, ტალკი, კაოლინი	1000 — 1200	შესამოსი საფასადე ფილები და ბლოკები, ტერაკოტა, მეტლახის, მოზაიკის, მოჭიქული ქაშანურისა და სხვ. ფილები
სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობანი	ქაშანური, ნახევრად ფაიფური	თიხა, კაოლინი, კვარცის ქვიშა	1150 — 1250	სანიტარული კვანძების მოწყობილობა
საყოფაცხოვრებო და მხატვრულ-დეკორატიული კერამიკა	ქაშანური, ნახევრად ფაიფური, მაიოლიკა	თიხა, კაოლინი, კვარცის ქვიშა, მინდვრის შპატი	1100 — 1250	სასადილო და ჩაის ჭურჭელი, მხატვრულ-დეკორატიული ნაკეთობანი
ცეცხლგამძლე კერამიკა	ალუმინსილიკატიანი, კაჟმიწიანი, მაგნეზიური, ქრომიანი, ცირკონიუმიანი და სხვ.	ცეცხლგამძლე თიხა, კაოლინი, შამოტი, კვარციტები, კირი, დოლომიტი, მაგნეზიტი, დიდცეცხლგამძლე ჟანგეულები და სხვ.	1350 — 2000	ღუმლების, საცეცხლეებისა და სხვ. ასაგები აგურები და ბლოკები.
სრულად შეცხობილ, მკვრივ, ტეხილში მბზინვარე ნაკეთობათა კლასი (წყალშთანთქმა—არა უმეტეს 0,5%-ისა)				
ტექნიკური კერამიკა: ელექტროტექნიკური (სამრეწველო და მაღალი სიხშირის დენისათვის)	მულიტის, კორუნდის, სტეატიტის, კორდიერიტის, წმინდა ჟანგეულების საფუძველზე, ელექტროფაიფური	თიხა, კაოლინი, ანდალუზიტი, თიხამიწა, მინდვრის შპატი, ცირკონი, ცირკონსილიკატები და სხვ.	1250 — 1450	იზოლატორები, ჩალითები თერმოწყვილებისათვის, ვაკუუმმკვრივი კოლბები, თერმომედეგი დეტალები ღუმლებისათვის და სხვ.
მჟავაგამძლე	„ქვისა", მჟავაგამძლე ფაიფური	თეთრადწვადი თიხა და კაოლინი, კვარცი, მინდვრის შპატი, შამოტი, ძნელდნობადი თიხა,	1250 — 1300	მჟავებისა და ტუტეების შესანახი ჭურჭელი, ქიმიური ქარხნების აპარატურა, ჭურჭლეული და სხვ.
		თეთრადწვადი თიხა და კაოლინი, კვარცი, მინდვრის შპატი	1300 — 1450	სასადილო და ჩაის ჭურჭელი, პატარა ქანდაკებები (სტატუეტები), ლარნაკები და სხვ.
საყოფაცხოვრებო და მხატვრულ-დეკორატიული კერამიკა	სალი და რბილი სამეურნეო ფაიფური			
სანიტარულ-სამშენებლო ნაკეთობანი	დაბალტემპერატურიანი ფაიფური	თიხა, კაოლინი, მინდვრის შპატი, კვარცის ქვიშა	1250 — 1300	პირსაბანის მაგიდები, უნიტაზები და სხვ.

1

2

ანტიკური კერამიკა. 1. წითელლაქიანი ჭურჭელი. ძველი რომი. ახ. წ. I ს. ერმიტაჟი. ლენინგრადი. 2. ეტრუსკული კანოპა. ძვ. წ. VII ს. დასასრ. არქეოლოგიური მუზეუმი. ფლორენცია.

კერამიკა. სლავური ქოთნები. XII ს. ისტორიისა და რეკონსტრუქციის მუზეუმი. მოსკოვი.

სიტყვა ეკუთვნის არქეოლ. ძეგლის ქრონოლოგიურ თუ კულტ.-ეთნ. განსაზღვრაში. მრავალ არქეოლ. კულტურას ინდივიდ. სახეს და ზოგჯერ სახელწოდებასაც კ-ის ნაწარმი აძლევს. თიხის გამოწვის წესების დაუფლებამდე ადამიანი თიხისაგან ამზადებდა მაგიური დანიშნულების ქანდაკებებს, ამულეტებს და სხვ.; ჭურჭლად იყენებდა ყოველგვარ ღრუსნეულიან საგანს, რ-იც ბუნებაში მზამზარეულად იყო ან რის დამუშავებაც ეადვილებოდა (ნიჟარები, ღრმულიანი ქვები, ზოგიერთი მცენარეული ნაყოფის ქერქი, თავის ქალას ზედა ნაწილი, ფულური რქები, დაწნული და ამოღარული ხის ჭურჭელი და სხვ.). ცეცხლში გამომწვარი თიხის ჭურჭელი ძირითადად ადრინდ. ნეოლითის ხანაში ჩნდება. მეზოლითიდან ნეოლითზე გარდამავალ ხანაში და ნეოლითის ადრეულ საფეხურზე აღმ. ქვეყნებში, ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე შემგროვებელი მეურნეობის მქონე და ადრემიწათმოქმედ საზ-ებებში, პირველად გაჩნდა კერამ. ჭურჭელი, რითაც ადამიანმა მკვეთრად გაიუმჯობესა ცხოვრების პირობები— ისწავლა საჭმლის ხარშვა, შეზავება, შენახვა და ა. შ. თიხის ჭურჭელს ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე კულტმსახურებაში, დაკრძალვის რიტუალებში. სამარხში ჩასატანებელ ჭურჭელს ზოგჯერ სპეციალურად ამზადებდნენ. კრემაციის დროს ფერფლის დასაკრძალავ ურნებად და ოსუარიუმებად ხშირად სახმარი ტიპის ჭურჭელს იყენებდნენ. სამშენებლო თიხის გამოწვის ტექნიკას ადრინდ. ხანიდან იცნობდნენ. თიხის ჭურჭლის ცეცხლში გამოწვის ტექნიკას წინ უსწრებდა მცენარეული მასალისაგან დაწნული კალათების შიგნიდან თიხით მოლესვის წესი, რის შედეგადაც წარმოიქმნა ნეოლითური მრგვალძირიანი, წნული ორნამენტით შემკული ჭურჭელი (ევროპა, აზია, აფრიკა). ცეცხლში მოხვედრილი წნული იწვოდა და თიხის კედელი მის კვალს ინარჩუნებდა, რამაც შემდეგში განსაზღვრა ორნამენტული ტრადიცია. შეიმჩნევა აგრეთვე (ხაპის, ცხოველის ტყავისა და სხვ.) მოსაკაებელთა ფორმებისადმი მიმბაძველობაც. უძველესი ჭურჭლის კედლები ზოგჯერ ჰორიზ. ლენტური დანაძერწებითაა ამოყვანილი — ასეთი წესით შესაძლებელი იყო თხელკედლიანი დიდი ჭურჭლის დამზადება. გვხვდება აგრეთვე 2 ან რამდენიმე შვეული ფენისაგან შედგენილი კედელი და სხვ. საკმაოდ ადრეულ საფეხურზე ისწავლა ადამიანმა სფერულტანიანი ჭურჭლის დაყალიბება ქსოვილით — ფხვიერი მასალით (სილით) გავსებული ქსოვილი ქმნიდა ბირთვს, რ-საც გარედან თიხას შემოალესავდნენ. თიხის შეშრობის შემდეგ სილას ყელიდან გადმოყრიდნენ და ჭურჭელს შიგნიდანაც თიხით ამოლესავდნენ; დამაყალიბებელ ბირთვად ქვასაც იყენებდნენ. კედლის შეშრობის შემდეგ ქვის ბირთვის ამოსალებად თიხას დიდ ნაჭრებად დაჭრიდნენ და გამოწვის წინ ჭურჭელს ისევ ააწყობდნენ. წინაისტ. ხანაში გავრცელდა კერამ. მორგვი და შემდეგ სამეთუნეო ჩარხი, რამაც მთლიანი ჭურჭლის ერთდროულად ამოყვანის შესაძლებლობა შექმნა. სამეთუნეო ჩარხის შექმნას ჭურჭლის მასობრივი, სერიული წარმოება და შემდეგში სამეთუნეო ხელოსნობის ცალკე დარგად გამოყოფა მოჰყვა. უფრო გვიან ზოგან სპეციფ. ფორმის ჭურჭლის ყალიბებში დამზადება დაიწყეს. ჭურჭლის სხვადასხვა ნაწილს ყველა ხალხში ძველთაგანვე შერქმეული ჰქონდა სიმბოლური და ასოცირებული სახელი: ტანი, მუცელი, მხარი, ყელი, პირი, ტუჩი, ნისკარტი, ყური, ხელი, ფეხი, გვირგვინი. ჭურჭლის დასამზადებელ ბუნებრივ თიხას უმეტეს შემთხვევაში „ამჭლეევებდნენ" სილიკატური მინარევებით (სილა, წვრილად დაფშვნილი ზოგიერთი ქანი, მინერალური, მაგარკეციანი ჭურჭლის წვრილი ნატეხები, ნამჯა), რათა გამოწვის შემდეგ მაგარი ყოფილიყო. გრაფიტნარევი თიხის ზედაპირი კარგად პრიალდებოდა. თავდაპირველად ჭურჭელს ღია ცეცხლზე გამოწვავდნენ, განვითარებული ბრინჯაოს ხანიდან კი — სპეც. კერამ. ქურაში. გამოწვის ტემპ-რა სხვადასხვა იყო (800°C-იდან 1100°C-მდე). კეცის სიმაგრე, ფერი და სხვ. თვისებები უმთავრესად გამოწვაზე იყო დამოკიდებული. მაღალ ტემპ-რაზე გამოწვა თიხას მეტ სიმაგრეს აძლევდა. ჟანგვითი პროცესის დროს (ჰაერის მიწოდებით) ნაწარმი წითელ და ღია ფერს იღებდა, ხოლო აღდგენითი პროცესისას — შავს და მუქს. ყველა ამ ტექ. და ტექნოლ. პროცესის შესატყვისი მონაცემები ცნობილია ამიერკავკ. და, კერძოდ, საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. კ-თვის.

თანამედროვე რადიოკარბონული შესწავლის შედეგად ე. წ. უკვრამიკო ნეოლითის პერიოდი ახლო აღმოსავლეთში (იერიქონი პალესტინაში) და შუა აღმოსავლეთში (ჰოტუსა და ბელტის მღვიმეები ჩრდ. ირანში) დათარიღებულია ძვ. წ. VII ათასწლ. დასასრულითა და VI ათასწლ. დასაწყისით, ხოლო უძველესი კერამ. კულტურები — ძვ. წ. VI ათასწლ. II ნახევრით.

ამიერკავკასიაში, კერძოდ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, კ-ის წარმოებას საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ. VI—V ათასწლეულებში. თავისებურებით ხასიათდება დას. საქართვ. (ოდიში, კისტრიკი, ანასეული II, გურიანთა) ადრინდ. ნეოლითური ძეგლები (უხეშად ნაძერწი სწორი, ნაპირებდაჭდეულკედლიანი, ხაზოვანი და მსხვილმარცვლოვანი ორნამენტით შემკული ჭურჭელი). გვიანდ. ნეოლითური და ენეოლით-ადრინდ. ბრინჯაოს (ძვ. V—III ათასწლ.) კულტურების გამოყოფა კ-ის თავისებურებათა საფუძველზე ხდება. დას. საქართველოში ამ ხანის კ-იდან აღსანიშნავია ყვირილის ხეობის ძეგლები (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ძუძუანის გამოქვაბული, საგვარჯილე და სხვ.), აფხ. ნასახლარები (ვორონცოვის მღვიმე, მაჭარისა და ოჩამჩირის ძეგლები). უხეშ, მაგრამ კარგად გამომწვარ კ-თან ერთად აქ თხელკედლიანი, წითლად შეღებილ-ნაპრიალები და დახვეწილი ფორმის ჭურჭელიც გვხვდება (სამელე კლდე). ამ პერიოდში გვხვდება კ-ის სამაჯურებიც. ცენტრ. ამიერკავკ. ნეოლით-ენეოლითის ხანის (ძვ. წ. V—IV ათასწლ.) შულავერ-შომუთეფეს კულტურა (შულავრის ჯგუფის ძეგლები ქვემო ქართლში, შომუთეფე-თოიორა-თეფეს ჯგუფისა დას. აზერბაიჯანში, თელუტი სომხეთში) ცნობილია როგორც უძველესი კერამ. წარმოების მქონე კულტურა. აქაური თიხის ჭურჭელი შემკულია რელიეფური დეკორით და ზოგჯერ კარგადაა გაპრიალებული შვერილ-კოპებით. გვხვდება ადამიანის ფორმის თიხის მცირე ქანდაკება. ამ კულტ. ზედა ფენების კ. ზოგიერთი ნიშნით უახლოვდება მტკვარ-არაქსის კულტურას და შეიძლება მისი პროტოტიპიც იყოს (ხიზანაანთ გორის ჭურჭელი). ამ ეპოქის თავისებური ნაწარმი გვხვდება ნახიჩევნის ქიულტეფეს ქვედა ფენაში.

ისტორიულად შეიმჩნევა საყოფაცხოვრებო კ-ის 2 ძირითადი სტილი: 1) საღებავით მოხატული ან შეღებილი ჭურჭელი და 2) ე. წ. მონოქრომული, სადაზედაპირიანი, უმეტესად გაპრიალებული ჭურჭელი, რ-იც ზოგჯერ შემკული იყო რელიეფური ან ღარული ორნამენტით, პრიალა ხაზებით, ნაკაწრებით, ნაჭდევებით. იშვიათად არსებობდა შერწყმული ტიპიც. ახლო აღმოსავლეთისა და ევრ. უძველეს ცივილიზაციებსა და კულტურებში ამ 2 სტილის მიხედვით გამოიყოფა ცალკეული ჯგუფები. მოხატული კ. უფრო გავრცელებული იყო სამხრ. მესოპოტამიასა და ირანში, მონოქრომული კ. გვხვდება ჩრდ. მესოპოტამიაში, მცირე აზიაში, ჩრდ. სირიასა და კავკასიაში, თუმცა სხვადასხვა პერიოდში აქ იყო მოხატული ჭურჭელიც. ძვ. წ. V ათასწლეულში ჩრდ. მესოპოტამიაში ერთმანეთს ცვლის ჰასუნის მონოქრომული და ჰალაფისა და ელ-ობეიდის მოხატული კ-ის კულტურა. ირანში ამ დროს გავრცელდა სამარული და ელამური მოხატული კ-ის სტილი. წინა აზიის მოხატული კ-ის სახეობები დახვეწილი და მაღალხარისხოვანი იყო როგორც ტექ., ისე მხატვრული თვალსაზრისით. ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ. სამხრ. მესოპოტამიაში დროებით გავრცელდა მონოქრომული მუქზედაპირიანი თიხის ჭურჭელი (ურუქის პერიოდი). ჩრდ. ირანში მსგავსი ცვლილება ხდება ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ. და II ათასწლ. დასაწყისში. ამიერკავკასიაში ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV ათასწლ. დასასრ. და III ათასწლ.) მტკვარ-არაქსის კულტურაში აქა-იქ თავს იჩენს არქაული მოხატულობა (ოზნი, ქვაცხლები). ცენტრ. ამიერკავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანაში ჩნდება ახ., სხვადასხვა სტილის მოხატული მაღალმხატვრული და მაღალტექ. კ. (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.). იგი ძირითადად გავრცელებული იყო შავკრიალა ჭურჭელთან ერთად. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან აქ კვლავ მონოქრომული, მეტწილად მუქზედაპირიანი კ. ბატონდება. ჩნდება კ-ის ახ. ფორმები, რაც ზოგჯერ მეურნეობრივ ცვლილებებთანაა დაკავშირებული (სადღეებლები და სხვ.). ამ დროის კ. ძირითადად ჩარხზეა დამზადებული და მასობრივი წარმოების საგანია, რაც ხშირად მის ესთეტ. ხარისხს ადაბლებს, თუმცა გვხვდება საუცხოო ნიმუშებიც (სამთავროს სამაროვანის კ.). ადრინდ. რკინის ხანიდან ხშირია ცხოველის ფორმის ჭურჭელი, მისი ცალკეული ზოომორფული დეტალები კი (მაგ., ყური) უფრო ძვ. დროიდანაა ცნობილი. კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანაში წამყვანია თავისებური სახის ღარებიანი, ჭდეებიანი და შტამპურპუნქტირიანი მუქი მონოქრომული კ. დას. საქართვ. ზოგიერთ რ-ნში (მაგ., საჩხერე) თავს იჩენს ჯერ მტკვარ-არაქსის და შემდეგ აღმოსავლურ-ქართული ტიპის კ. ცოტა უფრო ადრე (ძვ. წ. III ათასწლ. დასასრ.) ცენტრ. ანატოლიასა და აზერბაიჯანში (გოითეფე) ჩნდება ამიერკავკ. კ-ის მსგავსი სტილის მოხატული კ. სტილის ამ მონაცვლეობას მკვლევრები ეთნ. ცვლილებებს უკავშირებენ. ძვ. წ. IV—III ათასწლეულებში აღმ. ევროპაში მოხატული კ-ის უმთავრეს კერებს ქმნიდა ეგეოსურ-ბალკანური და ტრიპოლიეს კულტურა. დას. ევროპაში და ჩრდ.-აღმ. აზიაში ბრინჯაოს ხანაში მონოქრომული მოუხატავი კ. საკმაოდ მყარად ინარჩუნებდა ნეოლითური კ-ის ტრადიციებს (სავარცხლისებური ჭდეული ორნამენტი, ლენტური შემკულობა და სხვ.). კრეტა-მიკენის კულტურაში (ძვ. წ. II ათასწლ.) მოხატული კ-ის მხატვრული თვისებები ხელოვნ. უმაღლეს დონემდე იყო აყვანილი.

კ-ის წარმოება მძლავრად აღორძინდა ანტ. სამყაროში. სოფ. მეურნ., ხელოვნ., ვაჭრობისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებამ განაპირობა კ-ის მასობრივი წარმოება და მისი ფუნქციური დიფერენციაცია. ანტ. სახელმწიფოში არისტოკრატიული და შეძლებული ფენების გამორჩეული მდგომარეობა ზრდიდა მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან და მაღალმხატვრულ ფუფუნების საგნებზე. კ-ის წარმოება მხატვრული დონით არ ჩამორჩებოდა ხელოვნ. სხვა დარგებს. ძვ. წ. VI—IV სს. საბერძნეთში კ-ის მოხატვის ხელოვნებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. უზადოდ გამომწვარ ე. წ. შავლაქიან, შავფიგურიან და წითელფიგურიან პარადულ სუფრის თუ სხვა ჭურჭელზე გამოსახული იყო მითოლ. სიუჟეტები. ბერძნ. კ. ფართოდ საღებოდა და ვრცელდებოდა ევროპაში, წინა აზიასა და ამიერკავკასიაში. ბერძნ. ხე-

ლოვნ. შედეგრებია აგრეთვე ე. წ. ტანაგრის ფიგურები (ტერაკოტის პატარა ქანდაკებები), რ-ებიც ძვ. წ. IV—III სს. ბეოტიაში მზადდებოდა.

საქართველოში აღმოჩენილია დიდძალი ანტ. იმპორტული ჭ. კოლხეთში და იბერიაში ადგილ. კერამ. ნაწარმის გვერდით დაიწყო ამფორებისა და სხვა წითელლაქიანი ჭურჭლის დამზადება. დამკვიდრდა თიხის დამუშავების ახ. წესი, რ-იც ადრინდ. ფეოდ. ხანაშიც არსებობდა. განახლდა მოხატული ჭ-ის ტრადიცია. აღმ. საქართველოში ადრინდ. ანტ. ხანაში კარგად ჩანს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ჭ-ის ტრადიციები. ქ-ებში საცხოვრ. და სხვა ნაგებობები ბშირად გადახურული იყო წითლად შეღებილი გვერდებაკეცილი და ღარებიანი კრამიტით (მცხეთა, ურბნისი, გორი, სამადლო, სარკინე, რუსთავი და სხვ.). მცხეთაში აღმოჩენილია კრამიტსამარხები (ძვ. წ. I—ახ. წ. III სს.) აგურითა და კერამ. ფილებით ნაგები სამარხები (I—III სს.). ძირითადად გვხვდება სხვადასხვა სახის შავპრიალა ჯამები, წითელკეციანი ქვევრები და დერგები, წითლად შეღებილი წითელპრიალა პატარა დოქები. უნიკალურია სამადლოში აღმოჩენილი ელინისტური ხანის დიდი მოხატული ქვევრები. იბერიული შავპრიალა პატარა ზომის ჭურჭელი (აღმოჩნდა ურბნისში, გორში, რუსთავში, ხოვლეში, თბილისში, თრიალეთში, ხუნანში და სხვ.) კონკურენციას უწევდა ბერძნ. შავლაქიან ჭ-ს. იშვიათად გაჩვდება შავად მოხატული ნაცრისფერი პრიალა ჭურჭელი. ზოგიერთ ნაწარმში (ბორცობებიანი ჭურჭელი) შეინიშნება ვერცხლისა და მინის ჭურჭლის მიბაძვა. საერთოდ, ლითონის ჭურჭლის გავლენა ჭ-ზე შეიმჩნევა სხვადასხვა ეპოქაში (თრიალეთის კულტურა, მცირე აზიის კულტურები და სხვ.). შავპრიალა ჭ-ის ტრადიცია აღმ. საქართველოში II ს-მდე აღწევს. წინა ანტ. და ადრინდ. ანტ. ხანაში კოლხურ ადგილ. ჭ-ში მრავალ სიახლეს ვხვდებით: ჩნდება ყურმილიანი ბიკონუსური ხელადები და ჭინჭილები, მაღალფეხიანი და კონუსურძირიანი სასმისები, პირგადაკეცილი სხვადასხვა ჭურჭელი, წრიულკონცენტრული ჭდეული ორნამენტი და სხვ. კოლხეთში ამ დროს შავ და მუქზედაპირიანი ნაწარმი ჭარბობს. კოლხური ჭ-ის ნიმუშები ხარისხით ხშირად არ ჩამოუვარდებოდა იმპორტულს. სასმისების სპეციფ. ადგილ. ფორმების (ქვევრები, სხვადასხვა სახის დოქები, ხელადები, ჭინჭილები, ფიალები) სიმრავლე საქართვ. ანტ. ხანის არქეოლ. მასალაში, პირველ რიგში, მაღალგანვითარებულ მევენახეობაზე მიგვითითებს. ამასთან, ქვევრები და დიდი დერგები განკუთვნილი იყო მარცვლეულის, ზეთისა და სხვა პროდუქტის შესანახადაც. ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. ქ-ებში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი კოლხური ქვევრები მოწმობს, რომ კოლხეთიდან სას.-სამ. პროდუქტები (თაფლი, ცვილი და სხვ.) გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში. გვიანდ. ანტ. ხანაში კახეთში განსაკუთრებული სიახლე იყო ალაზან-იალოილუთეფეს ტიპის ჭ-ის გავრცელება. ამ ხანაში ქვევრებს აქ ზოგჯერ მიცვალებულის დასაკრძალავად ან სამარხში ჩასატანებლადაც იყენებდნენ. მაგრამ დას. საქართველოში ქვევრ-სამარხები გვხვდება გვიანდ. ბრინჯაოს — ადრინდ. რკინის ხანაშიც (ეშერი) და შემდეგ ადრინდ. ელინისტურ პერიოდში (დაბლაგომი), ხოლო მცხეთაში — ძვ. წ. III—I სს-ში. ქვევრსამარხების გავრცელება მევენახეობის რ-ნებშია შემჩნეული. დასტურდება ნამარხი ქვევრების და აგრეთვე ფართოპირიანი ქილების (ურნები) გამოყენება დასაკრძალავად. ანტ. ხანის მიწურულში (ძვ. წ. IV ს.) გვხვდება აბაზანისმაგვარი თიხის სარკოფაგები (ურბნისი, საგურამო, აღიანი, რუსთავი). გვიანდ. ანტ. ხანაში ვრცელდება სამტუჩა (სამყურა ბალახის ფორმის) ფართოძირიანი, მოვარდისფრო, მოწითალო, ზოგჯერ შავკეციანი დოქები, მრავლდება ყელწინბოიანი მსხლის ფორმის წითელი თიხის დოქები, რ-თა ფორმა ადრინდ.-ფეოდ. ხანაში და შუა ფეოდ. ხანაშიც გადმოდის. ამ დროს გვხვდება მოჭიქული ჭ-ის ცალკეული ნიმუშები (არმაზისხევი, ურბნისი, თრიალეთი, ყოლოთო). აღმოჩენილია ძვ. წ. II—I სს. ბერძნ.-რომაული სკულპტურული ხელოვნების ნიმუშები — ღვთაებათა გამოსახულებები და ადამიანის სახის ნიღბები (სარკინე).

ფეოდ. ხანაში კერამ. წარმოების განვითარება ახ. სოც.-ეკონ. საფუძველს ემყარებოდა. ადრინდ. ფეოდ. ხანაში (IV—IX სს.) ძვ. (ანტ.) საქალაქო მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემის შედეგად სასოფლო მეურნეობა აღორძინდა. ძვ. ქ-ებს სოფლური იერი მიეცათ. შეიმჩნეოდა კერამ. ნაწარმის თანდათანობითი რეგრესი, მაგრამ IV—V სს. კერამ. წარმოებამ ჯერ კიდევ შეინარჩუნა ინტენს. ხასიათი და მნიშვნელოვანი მასშტაბი, ნაწარმმა კი — ანტ. ჭ-ის მრავალი ნიშანი, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც განიცადა. თხელკეციან ჭ-ს IV—VI სს-ში სხვა ფორმა ჰქონდა და სხვა ტექნოლოგიით ამზადებდნენ.

ფეოდ. საქართვ. პოლიტ. გაერთიანებას, ეკონ. წინსვლას და ქ-ების აღორძინებას მოჰყვა კერამ. წარმოების ახ. მკვეთრი აღმავლობა (IX—XIII სს.). პარალელურად ასეთივე აღმავლობა შეიმჩნევა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. აღორძინების ხანის პროდუქციის წარმოებაში ჭ. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. ზოგიერთი მკვლევარი (ლ. ჭილაშვილი) ამ ეპოქის წარმოების, ვაჭრობისა და სასაქონლო პროდუქციის შესწავლის საუკეთესო წყაროდ ჭ-ს მიიჩნევს. XII—XIII სს-ში გაუმჯობესდა ჭ-ის წარმოების ტექნოლოგია. ამზადებდნენ საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების ყველანაირ ჭურჭელს, მ. შ. საპარადოს (ოქროთი მოვარაყებული თხელკედლიანი ლარნაკები და სხვ.), მოჭიქულ ჯამებს, საწურიან და სხვა სახის პატარა დოქებს, საყვავილე ვაზებს, ჭრაქებს, სამარილეებსა და სხვ. ფართოდ იყენებდნენ სამშენებლო ჭ-ს. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მოჭიქულ ჭურჭელს, რ-საც მასობრივად ამზადებდნენ სასაქონლოდ სხვადასხვა საწარმოო ცენტრში — თბილისში, დმანისში, რუსთავში. აღმოჩენილია კერამ. სახელოსნო გამოსაწვავი ქურებით და სათანადო პროდუქციითურთ („განჯისკარი"), მიგნებულია წარმოების უშუალო კვალი (თბილისი, დმანისი, რუსთავი), სავარაუდოა, რომ ადგილ. კერამ. წარმოება იყო უჯარმაში, იყალთოში, ძვ. ანაგაში, გუდარეხში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდსა და ცაგერში. მოჭიქული ჭ. წარმოადგენდა ერთი ან რამდენიმე ფერით მოხატულ, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარულ ჭურჭელს. განსაკუთრებით ბევრი იყო ფრინველისგამოსახულებიანი და მცენარეული ორნამენტით შემკული ჯამები. ადგილობრივ იყო დამზადებული ფაიანსის ზოგიერთი ნიმუშიც, რ-იც გამოირჩევა თავისებური ორნამენტული სტილით და ტექნოლოგიით. საქართველოში აღმოჩენილია ამ დროის იმპორტული, უმეტესად აღმ. ცენტრებიდან შემოტანილი ჭურჭელი. ცნობილია უცხოურის მიბაძვით ნაკეთები ჭ-ც. სავარაუდოა, რომ საქართველოდან გაჰქონდათ კერამ. ჭურჭელი. კერამ. მასალით დასტურდება სავაჭრო ურთიერთობა ქართულ ქ-ებს შორის. აღნიშნულ პერიოდში მხატვრული ჭ-ის წარმოებამ უმაღლეს დონეს მიაღწია და ადგილ. კულტ-ტრადიციებზე დაფუძნებული თავისებური ახ. მხატვრული სტილი შექმნა. ამას ხელს უწყობდა მეზობელ კულტ. გარემოსთან ურთიერთობაც.

გვიანდ. ფეოდ. ხანის ძეგლები და მასალა შედარებით უკეთ არის შესწავლილი აღმ. საქართველოში (თბილისის დედაციხე, დმანისი, გუდარეხი, მცხეთა, ჯავახეთის ახალქალაქი, თელავი, გრემი, არეში, ძველი გავაზი და სხვ.). აქ აღმოჩენილი კერამ. ნაწარმი იმდროინდელი საზ-ბის ეკონ. მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთი პირველწყაროა. შესამჩნევია კერამ. წარმოების დაქვეითება. რის მიზეზიც იყო ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. დასუსტება, ფეოდ. დაქუცმაცებულობა და აშლილობა, საქალაქო მეურნ. დაცემა, გარეშე მტრის შემოსევები და თარეში. მშვიდობიანობისა და მომძლავრების ცალკეული მომენტები (მაგ., XV—XVI სს-ში კახეთის სამეფოს გაძლიერება) ბიძგს აძლევდა ხელოვნ. დარგების, კერძოდ, ჭ-ის წარმოების განვითარებას. XVII—XVIII სს-ში თბილისი ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი იყო. ამ დროს შედარებით მცირე მასშტაბით აღდგა კერამ. წარმოება.

XIII ს. II ნახ. — XIV ს-ში კერამ. წარმოებაში გამოიყო ახ. ეტაპი, რითაც დასრულდა აღმავლობის პერიოდი. მხატვრულ ჭ-ში ეს მომენტი გამოიხატა ახ. ტექნოლ. ხერხებისა და ორნამენტული სახეების შემოღებით (მაგ., ჭიქურის იმიტაცია. ამოკაწრულ ორნამენტზე ანგობისა და მოხატულობის დატანა და ამ ნაწილის უთხელესი ჭიქურით დაფარვა). მოჭიქული ჭ-ის წარმოების ახ. ციკლი XVI ს-იდან იწყება. გვიანდ. შუა საუკ. ჭ-ში ერთ-ერთ ძირითად ჯგუფად გამოიყოფა მოუჭიქავი ჭურჭელი — წარნაქიანი სხვადასხვა სახის დოქები, ხელადები, ჯამები, თეფშები, სამარილეები, ქოთნები, ქილები, დერგები, ქვევრები, ჩიბუხები და სხვ. იჭრება უცხოური ნაკადიც, განსაკუთრებით უცხოელ დამპყრობთა გავლენის ქვეშ მოქცეულ პროვინციებში.

გვიანდ. ფეოდ. ხანაში მკვეთრად იცვლება მოჭიქული ჭ-ის ფორმები, კეცი, ორნამენტის სახეები და შე'ასრულების ხერხები, სალებავის ფერი. ქუსლიანი ჯამები, ფიალები, ლანგრები და ხელადები მზადდება სუფთად განლექილი თიხისაგან. მათი კეცი მოყვითალო ან მოწითალოა და ორივე მხარეს დაფარულია მაღალი ხარისხის ყვითელი ან თეთრი ანგობითა და ჭიქურით. შემოდის ფაიანსის და ფაიფურის ჭურჭელი. ამ პერიოდის ჭ-ში გამოირჩევა ჩინეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან და დაღესტნიდან შემოტანილი ნაწარმი. იმპორტული ნაწარმის ძირითად მასას შეადგენს ირანის ქ-ების ქირმანის, ქაშანის და იეზდის პროდუქცია, ცნობილია აგრეთვე ჩინ. რელატონის და ფაიფურის ირან. მონასმებიც. შემკობის ძირითადი სახეა ფაიანსის ნაწარძის ფერადი სალებავით (უპირატესად ლურჯი-კობალტი) მოხატვა და წითელკეციანი ნაკეთობის ერთფერი ჭიქურით შემკობა. დაღესტნური, ე. წ. „კუბაჩური" ჭ-ის მოზღვავება განსაკუთრებით XVIII ს-ში იგრძნობა.

სამშენებლო ჭ-ს ხშირად იყენებდნენ გვიანდ. ფეოდ. ხანაში. XVI ს-იდან იზრდება აგურის მნიშვნელობა როგორც სამოქალაქო მშენებლობაში (კახეთის XV—XVII სს. ნაგებობები; XVII—XVIII სს. თბილისის შენობები და, ქალაქის გალავანი; ერეკლე II-ის სასახლის თაღები თბილისში), ისე საეკლ.-სამონასტრო არქიტექტურაში (ახ. შუამთის და გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიები კახეთში, დანახვისა და უფლისციხის ეკლესიები ქართლში, კადარის ეკლესია სამეგრელოში და სხვ.). იყენებდნენ დეკორ.-მოსაპირკეთებელ აგურსაც. ამ პერიოდში (საბოლოოდ კი XIX ს-თვის) თანდათან ჩამოყალიბდა ქართ. აგურის სტანდ. ზომა, ძველებური გვერდებაკეცილი კრამიტი კი საბოლოოდ შეცვალა პატარა და მსუბუქმა ღარისებურმა კრამიტმა. კერამ. მილები გამოყენებულია თელავის, გრემის, „მუნის წყაროს" და სხვ. აბანოებში (XV—XVII სს.), წყალსადენებში, რ-ებიც მოდის წავკისიდან და გოგირდოვანი წყაროებიდან ერეკლეს სასახლემდე თბილისში.

1

2

3

კერამიკა. ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის კერამიკა. 1. მახვილძირიანი ჭურჭელი ჩაღრმავებული ორნამენტით. ნეოლითი; 2. ადამიანის ნიღბიანი ჭურჭლის ფრაგმენტი (სოფ. ვოზნესენოვკა, ხაბაროვსკის მხარე). ნეოლითი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილება. ნოვოსიბირსკი; 3. ჩაღრმავებულ-საგარსლისებრ ორნამენტიანი ჭურჭელი. ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები—I ათასწლეულის დასაწყისი). 1,3— ისტორიული მუზეუმი. მოსკოვი.

კერამიკა. კორინთული ჭურჭელი— სატირი კრატერით ხელში. ძველი საბერძნეთი. ძვ. წ. VI ს. ლუვრი. პარიზი.



კერამიკა. უ. ჯურაგული ოვი. სურა (მაშრაფა). ფერადი ჭიქური. 1962. უზბეკი ხალხის კულტურის რესპუბლიკური მუზეუმი. სამარყანდი.



კერამიკა. რ. ეინბერგა. რძის სერვიზი. თიხა. 1967.

ლ. კერბელი.

ლ. კერბელი. კ. მარქსის ძეგლი. მოსკოვი. გრანიტი. გაიხსნა 1961.

საქართვ. რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათან განვითარდა სამშენებლო კერამ. მრეწველობა, რ-მაც XIX ს. 70-იან წლებში კაპიტალ. ხასიათი მიიღო, ხოლო საბჭ. პერიოდში მძლავრ ინდუსტრიას შეუერთდა. ლითონის ჭურჭლის სიძვირის გამო მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლის) შოთხოვნილებას ძირითადად კ. აკმაყოფილებდა. XIX ს-ში თბილისში განვითარებული იყო მეთუნეობა, მაგრამ 80-იანი წლებიდან რუს. საქარხნო ნაწარმის კონკურენციის გამო დაცემა იწყო და თანდათან შეწყვიტა არსებობა. კერამ. წარმოებასთან უფრო მჭიდროდ და ხანგრძლივად იყო დაკავშირებული სოფ მოსახლეობა, სადაც კ-ის წარმოებას შინამრეწველური ხასიათი შემორჩა. წარმოების ცალკეული ცენტრების შენარჩუნებას ხელი შეუწყო სათანადო ნედლეულის არსებობამ და მწარმოებელთა ეკონ. მდგომარეობამ. საქართვ. ბევრ პროვინციაში დღემდე შემორჩა კ-ის წარმოება, რასაც უმთავრესად განაპირობებს მეურნ. სპეციფ. ხასიათი (მევენახეობა და სხვ.), მზარღი მოთხოვნილება სამშენებლო ნაწარმზე, კერამ. წარმოებისა და მაღალი სამეურნეო ხელოვნების ძვ. ტრადიციები. ამ ტრადიციებზე მეტყველებს ეთნოგრ. სინამდვილეში დამოწმებული სათანადო მასალა და ფაქტები. დანიშნულების მიხედვით ქართ. კ-ის ერთ მთავარ ჯგუფს შეადგენს წყლის, ღვინის, სამზარეულო და სამეურნეო მრავალნაირი ჭურჭელი, მეორეს კი— კრამიტი, აგური და თიხის მილები. სხვადასხვა კუთხის ცალკეული სახის ნაწარმს შორის უმთავრესად მსგავსებაა ფორმის, დამზადების ტექ. მიხედვით და სხვ. ამავე დროს ვლინდება ადგილ. თავისებურებებიც. მეჭურჭლეობის ცენტრებია: კახეთში—თაღლაური, რუისპირი, არტოზანი, მერე, ვარდისუბანი, თელავი, მაჩხაანი, ბოდბისხევი, სადაც უმეტესად მზადდება საღებავიანი ან მოჭიქული ჭურჭელი; ზემო იმერეთში — შროშა, საწაბლე, მაქათუბანი, გეზრულა, ჯოყოთი; ქართლში — ცხავატი; ლეჩხუმში — საირმე, რაჭაში — ღანთა და შოუბანი; სამეგრელოში — ნამიკოლავო; აფხაზეთში — ეკვასკე. მექვევრეობა-მეთორნეობის ცენტრებია: კახეთში — ვარდისუბანი, ახალსოფელი, ყარსუბანი; ზემო იმერეთში — ჩხირული, დიდწითელა. ცენტრებია აგრეთვე ქსნის ხეობაში, ლეჩხუმში. კრამიტსა და აგურს ასევე სხვადასხვა ადგილას ამზადებენ. საოჯახო-სახმარი ჭურჭლის წარმოებას თანდათან დევნის სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული საქარხნო-საფაბრიკო პროდუქცია.

მხატვრული და მოჭიქული კ-ის წარმოებით განსაკუთრებით გამოირჩევა სოფ. შროშა (ზესტაფონის რ-ნი), სადაც შინამრეწველური ხელოსნები ძველთაგანვე მისდევდნენ ამ ხელობას. აქ უხვად არის შესანიშნავი სამეთუნეო თიხა. შროშა მდიდარია აგრეთვე ცეცხლგამძლე კაოლინიანი თიხით. მის ბაზაზე აგებულია საშამოტე ცეცხლგამძლე აგურის ქ-ნა, რ-იც პროდუქციას აწვდის რუსთავის მეტალ. ქ-ნას. ბოლო დროს აქ შეიქმნა კეთილმოწყობილი კერამ. საამქრო, რ-შიც შინამრეწველები ნებაყოფლობით ერთიანდებიან. მეთუნეობას ტრადიციულად ეწევა თითქმის ყველა ოჯახი, რ-იც თავის პროდუქციას აბარებს კოლ-ბებს და საბჭ. მეურნეობებს. როგორც ცნობილია, შროშაში მეთუნეობა ძველთაგანვე უფრო განვითარებული ყოფილა, ვიდრე ამიერკავკ. სხვა რ-ნებში. სათანადო მინარევიანი თიხით ამზადებდნენ სხვადასხვა დანიშნულების მოჭიქულ, მოხატულ და სადა ჭურჭელს. შროშის კ. დიდი პოპულარობით სარგებლობს. საქართვ. მუზეუმში, აგრეთვე მოსკ.-ლენინგრ., ბაქოსა და ერევნის მუზეუმებში დაცულია ქართული ეთნოგრ. კ-ის მდიდარი კოლექციები.

როგორც არქეოლ., ისე ეთნოგრ. კ-ის ნიმუშებს ფართოდ იყენებენ თანამედროვე ქართვ. მხატვარ-კერამიკოსები, რ-ებიც შემოქმედებითად ამუშავებენ ძვ. კ-ის მდიდარ ფორმებს და დეკორს. მათ შექმნეს მხატვრული კ-ის მრავალი შესანიშნავი ნიმუში. ბევრი მათგანის ნახელავმა სახელი გაითქვა როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე სსრკ საზღვრებს გარეთ.

ლიტ.: აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, [წგნ.] 1, თბ., 1963; ბოჭორიშვილი ლ., ქართული კერამიკა, [ტ.] 1 — კახური, თბ., 1949; დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, [წგნ.] 1, თბ., 1975; ვანი I, თბ., 1972; ლორთქიფანიძე ო., არქეოლოგია და საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, «მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია», 1976, № 2; ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1—2, თბ., 1969—74; ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1971 წწ.), თბ., 1975; ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, [ტ.] 1—2, თბ., 1968—70; ჯაოშვილი ვ., კერამიკული მრეწველობა საქართველოში, თბ., 1958; ჯაფარიძე ო., ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1961. *ე. გოგაძე.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 544.

კერამიკული კონდენსატორი, კონდენსატორი, რ-ის დიელექტრიკის (კერამიკის) ფუძეა უმთავრესად ცირკონიუმის, კალციუმის, ნიკელისა და ბარიუმის ტიტანატები ($ZiTiO_3$, $CaTiO_3$, $NiTiO_3$, $BaTiO_3$). განსაკუთრებულ შემთხვევაში კერამიკის ფუძედ შეიძლება იყოს Al_2O_3, SiO_2, MgO და სხვ.; კ. კ-ის ტევადობა *პფ*-ის ნაწილებიდან რამდენიმე *მკფ*-მდე აღწევს, სამუშაო ძაბვა კი — რამდენიმე ათეული *ვ*-იდან ათეულ *კვ*-მდე (იხ. აგრეთვე *კონდენსატორი* ელექტრული).

კერამიკული სალებავები, შეღებილი მინერალური ნივთიერებანი, რ-ებიც კარგად უძლებენ მაღალ ტემპ-რას; იყენებენ კერამ. ნაკეთობათა, ჭიქურისა და მინის შესაღებად. კ. ს-ია: წვრილად დაფქული მინერ. პიგმენტების ნარევი ადვილდნობად მინასთან (ჭიქურზედა საღებავები), ფხვნილისებრ ჭიქურთან (ჭიქურქვედა სალებავები) და შეღებილი ადვილდნობადი ჭიქურები (მაიოლიკის საღებავები), აგრეთვე ძვირფასი ლითონების (ოქრო, პლატინა, ვერცხლი) ფხვნილისებრი და თხევადი პრეპარატები. კ. ს-ის დამზადებისას შეღებილ მინერ. ნივთიერებად იყენებენ მძიმე ფერადი ლითონების ჟანგეულებს, უფრო იშვიათად — ლითონთა გოგირდოვან და სელენოვან ნაერთებს (მაგ., CdS, CdSe) ან ბუნებრივი მინერ. ნაერთების (კორუნდი, შპინელი, ძოწი და სხვ.) ტიპის სინთეზურ შეღებილ ნივთიერებებს.

კ. ს-ს გამოწვავენ სხვადასხვა ტემპრაზე (ტემპ-რას განსაზღვრავენ მათი შედგენილობისა და შესაღები ნაკეთობის სახეობის მიხედვით).

კერატინები (<ბერძნ. keras, ნათ. ბრ. keratos — რქა), ფიბრილური ცილები, რ-თა ბოჭკოები შედის კანის, თმის, მატყლის, ბუმბულის, ქერცლის, ფრჩხილის, რქის, ნისკარტის, ჩლიქის რქოვანი შრის შედგენილობაში. კ. არ იხსნება წყალსა და ორგ. გამხსნელებში, განასხვავებენ კ-ის დაგრეხილ, ე. წ. α-სტრუქტურას (აქვთ ძუძუმწოვრებს) და გაშლილ, β-სტრუქტურას (გვხვდება ქვეწარმავლებისა და ფრინველების კ-ში). α-კ-ის ძირითადი სტრუქტურული ელემენტია ცილინდრული მიკროფიბრილები (დიამეტრი 75A°), რ-იც წვრილებად დაგრეხილი პროტოფიბრილებისაგან შედგება.

კერატიტი (<ბერძნ. keras, ნათ. ბრ. keratos — რქა), თვალის რქოვანა გარსის ანთება. უმეტესად ინფექციური დაავადებაა. განარჩევენ ეგზოგენურ და ენდოგენურ კ-ს. ეგზოგენურს განეკუთვნება ტრავმული და სოკოვანი კ., აგრეთვე რქოვანას წყლული; ენდოგენურს — ათაშანგურ-პარენქიმული, ტუბერკულოზურ-ალერგიული, ჰერპესული, ნეიროპარალიზური და სხვ. კ. კ-ს ახასიათებს თვალის ტკივილი და სიწითლე, სინათლის შიში, ცრემლის დენა, თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, მხედველობის დაქვეითება, *ბლეფაროსპაზმი*, რქოვანას შეშუპება. ანთებითი ინფილტრაციის შედეგად რქოვანას გამჭვირვალობა ირღვევა, ხშირად რქოვანაში ჩნდება ახლად წარმოქმნილი სისხლის ძარღვები, ზოგჯერ აღინიშნება მგრძნობელობის მოშლა. გართულებებიდან აღსანიშნავია ინფილტრატის ჩირქოვანი დაწყლულება, ფერადი გარსის შეზრდა რქოვანას უკანა ზედაპირთან ან ბროლის კაფსულასთან, რქოვანაზე ტლანქი ნაწიბურის წარმოქმნა და ა. შ.

მკურნალობა — კ-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია, სულფანილამიდური პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ვიტამინები, პაოსტიმულატორები; ფიზიოთერაპია, კრიოთერაპია, ნოვოკაინის ბლოკადა; ზოგჯერ ქირურგ. მკურნალობა (*კერატოპლასტიკა*). *ი. ბერაძე.*

კერატოზები (<ბერძნ. keras, ნათ. ბრ. keratos — რქა), კანის არაანთებითი დაავადებების ჯგუფი, რ-ის საერთო დამახასიათებელი ნიშანია კანის რქოვანა შრის გასქელება. კ. ვითარდება რქოვანა შრის გაძლიერებული ზრდის ან უჯრედების მომეტებული შეჭიდულობის შედეგად. ქიცვების მოცილება კ-ის დროს 5-10-ჯერ უფრო ნელა ხდება, ვიდრე ნორმალური კანიდან. განარჩევენ თანდაყოლილ კ-ს, რ-ებიც დაკავშირებულია გარქოვანების პროცესის თანდაყოლილ უკმარისობასთან (*იქთიოზი*, *კერატოდერმია*) და შეძენილს, რ-ებიც ვითარდება საერთო და ადგილ. პათოლ. პროცესების დროს. მკურნალობა კ-ის გამომწვევ მიზეზებზეა დამოკიდებული.

კერატოპლასტიკა (ბერძნ. keras, ნათ. ბრ. keratos — რქა და plastikē—ქანდაკება, სკულპტურა), თვალის რქოვანა გარსის გადანერგვის ოპერაცია; მიმართავენ რქოვანას შემღვრევით გამოწვეული მხედველობის მკვეთრი დაქვეითებისას. კ-ის დროს შეცვლილ რქოვანას მთლიანად ამოკვეთენ და მის ადგილზე გადანერგავენ რქოვანა გარსს, რ-საც იღებენ სხვა ადამიანის რაიმე მიზეზის გამო ამოცლილი თვალიდან.

კერაში, კერაშევი, თემბოთ მაპომეტის ძე [დ. 7(20). VIII. 1902, აული კოშეხაბლი, ახლანდ. ადიღეს აო], ადიღეელი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1928-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1925-იდან. 20-იანი და 30-იანი წწ. დასაწყ. სტატიებში, ნარკვევებსა და მოთხრობებში ასახა ადიღეელი გლეხობის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში რევ. შედეგად მომხდარი ცვლილებები. ჩრდ. კავკ. ხალხთა შორის პირველმა შექმნა სოც. რომანი. მისი რომანი „გზა ბედნიერებისაკენ" (1940; სსრკ სახელმწ. პრემია, 1948) მიეძღვნა ადიღეში სოციალ. მშენებლობას, ხოლო რომანი „ოცნებასთან გაჯიბრება" (წგნ. 1, 1955, რუს. ენაზე) — ადიღეს აულის ომის შემდგომ ყოფას. ავტორია მოთხრობებისა „აბრაგი" (1957), „მეჯოგის შურისგება", „ჭკვიანი დედის ასული" (1963), რომანისა „ქუქა" (1968). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Шабанова Е. М., Тембот Керашев, Майкоп, 1959.

კერბელი ლევ ეფიმის ძე [დ. 25. X (7. XI). 1917, სოფ. სემიონოვკა, ახლანდ. სუმის ოლქი, უკრ. სსრ], საბჭ. მოქანდაკე. სსრკ სახ. მხატვარი (1977), სკკპ წევრი 1962-იდან. 1937—42 სწავლობდა მოსკ. სამხატვრო ინ-ტში. 1962-იდან ასწავლის იქვე (1963-იდან პროფესორი). მონუმენტალისტი, პორტრეტისტი. ნამუშევრები:

რელიეფები — „გამარჯვების დღესასწაული", „უსმენენ ლენინს" (თაბაშირი, 1948—49, სსრკ სახელმწ. პრემია, 1950); საბჭ. კავშირის ორგზის გმირის ვ. პეტროვის პორტრეტი (მარმარილო, 1951, ტრეტიაკოვის გალერეა), ლენინის ძეგლი სოფიაში (ბულგარეთი; გრანიტი, 1971), კ. მარქსისა— მოსკოვში (გრანიტი, გაიხსნა 1961; ლენინური პრემია, 1962) და სხვ. დაჯილდოებულია 2 ორდენითა და მედლებით.

კერბერი, იხ. *ცერბერი.*

კერგელენი (Kerguelen), არქიპელაგი სამხრეთის ოკეანის ინდოეთის სექტორში. ეკუთვნის საფრანგეთს. შედგება ერთი დიდი კუნძულისა (კერგელენი) და დაახლ. 300 პატარა კუნძულისაგან. საერთო ფართ. დაახლ. 7 ათ. *კმ*². კ-ები წარმოადგენენ კერგელენ-გაუსბერგის წყალქვეშა ქედის მწვერვალებს. აგებულია უმთავრესად ბაზალტებით, რ-ებიც წარმოქმნის ზეგნებს (სიმაღლე 300—600 *მ*) და ცალკეულ ვულკ. მწვერვალებს (სიმაღლე 1965 *მ*-მდე). ჰავა სუბანტარქტიკულია, ცივი. ნალექები დაახლ. 1000 *მმ* წელიწადში. ღარიბი ბალახეული მცენარეულობა. კ-ზე ვრცელი ყინულის საფარია (500 *კმ*²-მდე). სელაპის რეწვა. აღმოაჩინა 1772 ფრანგმა ზღვაოსანმა ი. ჟ. კერგელენმა.

კერეკუ (Kérékou) მატიე (დ. 1933, ქ. ნატიტინგუ), ბენინის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური, გაანაგებს ეროვნ. თავდაცვას (1972 ოქტ.-იდან), პოდპოლკოვნიკი. 1961-მდე მსახურობდა საფრ. არმიაში. 1967 მონაწილეობდა სამხ. გადატრიალებაში და სამოქალაქო მთავრობისათვის ხელისუფლების გადაცემამდე (1968-მდე) იყო სამხ.-რევ. კომიტეტის (კონტროლს უწევდა ბენინის მთავრობის საქმიანობას) თავ-რე. 1968—70 სამხ. სწავლება გაიარა საფრანგეთში. 1970 დასაწყისში ძეთაურობდა სადესანტო ქვედანაყოფს ქ. უიდაში (ბენინი), 1970 მაის—1972 ოქტ-ში იყო ბენინის არმიის შტაბის უფროსის მოადგილე.

კერენსკი ალექსანდრე თედორეს ძე [22. IV (4. V). 1881, სიმბირსკი, — 11. VI. 1970, ნიუ-იორკი], რუსი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული *დროებითი მთავრობის* მეთაური. ჩამომავლობით აზნაური. განათლებით იურისტი. ადვოკატი. 1917 თებ. რევ. შემდეგ პეტროგრ. საბჭოს თავ-რის მოადგილე, სახელმწ. სათათბიროს დროებითი კომიტეტის წევრი. 1917 მარტიდან — ესერი. დროებით მთავრობაში იყო იუსტიციისა (1917 მარტი-მაისი) და სამხ. და საზღვაო მინისტრი (მაისი-სექტ.), 8(21) ივლისიდან — მინისტრ-თავ-რე (პრემიერი), 30 აგვ-დან (12 სექტ.) — უმაღლესი მთავარსარდალი. შეიარაღებული აჯანყების დროს დედაქალაქიდან გაიქცა ფრონტზე და სათავეში ჩაუდგა ამბოხებას, რ-ის ჩახშობის შემდეგ თავი შეაფარა დონს. 1918 ემიგრაციაში გაემგზავრა საფრანგეთში, 1940-იდან ცხოვრობდა აშშ-ში. აქტიურად მონაწილეობდა თეთრი ემიგრაციის ანტისაბჭ. საქმიანობაში, ავტორია ანტისაბჭ. განწყობით დაწერილი მემუარებისა და წიგნებისა ოქტ. რევ. შესახებ.

კერესელიძე აკაკი ერმილეს ძე (დ. 15 (28). VIII. 1916, სოფ. უწერა, ახლანდ. ონის რ-ნი), ქართველი საბჭოთა მეცნიერი ელექტროტექნიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1970), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). სკკპ წევრი 1945-იდან. 1938 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრ. ინ-ტი. 1972-იდან. ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ტექ. ელექტრონიკის კათედრის გამგეა. ჰ-ის სამეცნ. შრომები მიძღვნილია ელექტროენერგიის გარდაქმნის ტექ. და მართვის სისტემების საკითხებისადმი.

კერესელიძე არჩილ პავლეს ძე (24. XII. 1912, დაბა ღუნიბი, ახლანდ. დაღ. ასსრ,— 21. XII. 1971, თბილისი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1961), ჩრდ. ოსეთის ასსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). 1934 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ა. ვირსალაძის საფორტეპიანო და მ. ბაგრინოვსკის საკომპოზიციო კლასები), 1939 — მოსკ. კონსერვ. საკომპოზიციო განყ-ბა (დ. კაბალევსკისა და ნ. მიასკოვსკის კლასები). 1940—44 პოლიფონიას ასწავლიდა თბილ. კონსერვატორიაში. 1940—46 მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრის მუს. ნაწილის გამგე. 1953—71 კინოსტუდია „ქართული ფილმის" მუს. რედაქტორი. ნაწარმოებები: ოპერა „ბაშიაჩუკი" (1945), ბალეტი „ნაზიბროლა" (1947), მუს. კომედიები — „თბილისის ცის ქვეშ" (1949), „მთვარიდან დაბრუნება" (1963), „ალუბლის ყვავილობა" (1965) და სხვ.; სიმფონია (1940), 2 საფორტეპიანო კონცერტი (1941, 1949), მუსიკა სპექტაკლებისათვის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", „მეფე ერეკლე", „ძველი ვოდევილები" (მარჯანიშვილის თეატრის დადგმები) და სხვ. ჰ-ს ეკუთვნის მუსიკა კინოფილმებისათვის: „ქეთო და კოტე" (რედაქცია და რამდენიმე ორიგინ. ნომერი, 1948), „ბედნიერი შეხვედრა" (1949), „გაზაფხული საკენში" (1950), „მაგდანას ლურჯა" (1955), „ჩვენი ეზო" (1956), „ფატიმა" (1958), „სხვისი შვილები" (1958), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (1962), „დიდოსტატის მარჯვენა" (1969) და სხვ. ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია (1973, სიკვდილის შემდეგ).

ლიტ.: ი ა შ ვ ი ლ ი მ., არჩილ კერესელიძე, თბ., 1977. *გ. ტორაძე.*

კერესელიძე ივანე ივანეს ძე [10 (22). XI. 1829, თბილისი, — 21. XII. 1892 (1. I. 1893), თბილისი], ქართველი პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორ-გამომცემელი. 1850 დაამთავრა თბილ. პირველი გიმნაზია. 1851 სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა მიიწვია ზუგდიდში შვილების აღმზრდელ-მასწავლებლად. 1852-იდან დაიწყო საგამომცემლო მოღვაწეობა. 1854-იდან მეთაურობდა ქართ. დრამ. დასს. 1857 იანვარს აღადგინა და გამოსცა *ჟურნ. „ცისკარი"*, რ-საც ხელმძღვანელობდა 18 წლის განმავლობაში. 1862 დაარსა გაზ. *„გუთნის დედა"*, 1887-იდან უშვებდა გაზ. „ცისკარს". ჰ-ის პირველი ლექსები დაიბეჭდა 1851 გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკში". შემდეგ იბეჭდებოდა „დროებაში", „იმედში", „ივერიაში" და სხვა *ჟურნალ-გაზეთებში.* მისი ლექსები „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი" და „ჩემო თვალის სინათლევ" პოპულარულ სიმღერებად იქცა. 1855 ცალკე წიგნად გამოიცა ჰ-ის პოემები, 1859—ლექსთა პირველი კრებული. *ნ. ხომერიკი.*

კერესელიძე კონსტანტინე გიორგის ძე [დ. 18. XI (1. XII). 1907, სოფ. ბოყვა, ახლანდ. ონის რ-ნი], ქართველი საბჭ. ინჟინერ-გეოლოგი, გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. კანდიდატი (1971). სკკპ წევრი 1947-იდან. 1951 საქართვ. ბარიტების საბადოთა გამოკვლევისათვის სხვა სპეციალისტებთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

კერესელიძე შალვა იასონის ძე [დ. 12 (25). XII. 1913, სოფ. უწერა, ონის რ-ნი], ქართველი მეცნიერი და კონსტრუქტორი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1962), საქ. სსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962), საქ. სსრ დამს. გამომგონებელი (1961), სოციალ. შრომის გმირი (1971). სკკპ წევრი 1939-იდან. 1943—49 მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, 1949—54—ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, ხოლო 1955—62 საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის პროორექტორად; 1962—71 საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტის დირექტორის მოადგილე და საპრობლემო ლაბორ. უფროსი, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ. და საკონსტრუქტორო ინ-ტის დირექტორი და გენ. კონსტრუქტორი (1971—75). 1975-იდან საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტის ჩაისა და სხვა სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო ტექნოლ. ლაბორ. უფროსი. ჰ-ის ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მექანიზაციას. ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს" შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის მიენიჭა ლენინური პრემია (1967). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თხზ.: ჩაის მოვლა-მოყვანის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები. თბ., 1964; Индустриальная технология возделывания, сбора, загрузки, выгрузки, транспортировки и переработки чайного листа, Тб., 1972.

ა. პ. კერესელიძე.

კერეტარო (Querétaro), ქალაქი ცენტრალურ მექსიკაში, კერეტაროს შტატის ადმ. ცენტრი. 150 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. ბამბეულის წარმოება. ჰ-ს მახლობლად იღებენ პოლიმეტალურ მადანს. XVII—XVIII სს. ბაროკოს სტილის მონასტრები და სასახლეები.

კერვინი (Kerwin) ჯოზეფ (დ. 19. II. 1932, ოკ-პარკი, ილინოისის შტ.), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, ექიმი, აშშ-ის სამხ.-საზღვაო ძალების სამედ. სამსახურის მე-3 რანგის კაპიტანი; მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკ. სპეციალობით (1953), მედ. მეცნ. დოქტორი (1957). მუშაობდა ექიმად, აგრეთვე მფრინავად. 1965-იდან აერონავტიკისა და კოსმ. სივრცის კვლევის ეროვნ. სამმართველოს კოსმონავტთა რაზმშია. 1973 წ. 25 მაისიდან 22 ივნისამდე ჩ. *კონრადთან* და პ. *ვეიცთან* ერთად იფრინა კოსმოსში, იყო 1973 წ. 14 მაისს გაშვებული ორბიტული სადგურის — „სკაილების" I ეკიპაჟის წევრი. ამ ფრენის დროს ჰ. კონრადთან ერთად გამოვიდა ღია კოსმოსში სადგურზე სარემონტო სამუშაოთა ჩასატარებლად (4 *სთ* და 15 *წთ*).

ი. კერესელიძე.

კერზონი (Curzon) ჯორჯ ნათანიელ (11. I. 1859, კედლსტონ-ჰოლი, დერბიშირი, — 20. III. 1925, ლონდონი), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, კონსერვატორი. 1919—24 საგარეო საქმეთა მინისტრი. საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1920 ნოტით მიმართა საბჭ. რუსეთს, მოითხოვდა ე. წ. *„კერზონის ხაზის"* დაცვას. ლოზანის კონფერენციაზე (1922—23) მიაღწია შავი ზღვის სრუტეების საკითხში საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილების მიღებას, რის შედეგადაც ეს სრუტეები ფაქტობრივად იმპერიალ. სახელმწიფოებს დაექვემდებარა. 1923 საბჭ. მთავრობას გამოუგზავნა პროვოკაციული მემორანდუმი (იხ. *კერზონის ულტიმატუმი*).



ზ. კერესელიძე.

კერზონის ულტიმატუმი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯ. კერზონის მიერ შედგენილი მემორანდუმი (1923 წ. 8 მაისი), რ-ითაც ინგლ. მთავრობა საბჭ. მთავრობისაგან მოითხოვდა ირანიდან და ავღანეთიდან საბჭ. დიპლ. წარმომადგენლების გაწვევას და ოფიციალურად ბოდიშის მოხდას ბრიტ. იმპერიის მიმართ მათი თითქოსდა არასწორი მოქმედების გამო; მურმანსკის გასწვრივ სანაპირო წყლების 12-მილიანი ზოლის 3 მილამდე შემცირებას; ფულად კომპენსაციას საბჭ. ორგანოების მიერ ინგლ. ჯაშუშების მიმართ გატარებული რეპრესიების გამო; დიდი ბრიტ. მთავრობა ცდილობდა მოეპოვებინა სსრკ-ის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება თითქოსდა იქ მიმდინარე რელიგ. დევნის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით. ინგლ. მთავრობა მოითხოვდა მემორანდუმის პირობების მთლიანად მიღებას 10 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლ.-საბჭ. კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების (1923) გაუქმებით იმუქ-

კერის ეფექტი. კერის ეფექტზე დასაკვირვებელი დანადგარის სქემა. ისრები გვიჩვენებს ელექტრული ველის მიმართულებას. მონოქრომატულ სინათლეს ჯერ უშვებენ P პოლარიზატორში (მაგ. ნიკოლის პრიზმაში), შემდეგ კი—იზოტროპული ნივთიერებით შევსებულ ბრტყელ კონდენსატორში (კერის უჯრედი). პოლარიზატორი ბუნებრივად პოლარიზებულ სინათლეს გარდაქმნის წრფივად პოლარიზებულ სინათლედ. თუ კონდენსატორის შემონაფენებზე ძაბვა არ არის მოდებული, მაშინ ნივთიერებაში გამავალი სინათლის პოლარიზაცია არ იცვლება და სინათლე მთლიანად ქრება ნიკოლის A პრიზმით (ანალიზატორით), რომელიც პირველის მიმართ 90°-ითაა მობრუნებული. თუ შემონაფენებზე მოდებულია ძაბვა, წრფივად პოლარიზებული სინათლის ტალღა ნივთიერებაში დაიშლება ველის გასწვრივ პოლარიზებულ $E_{არ}$ (არაჩვეულებრივ) და ველისადმი მართი კუთხით მიმართულ $E_{ჩვ}$ (ჩვეულებრივ) ორ ტალღად, რომლებიც სხვადასხვა სიჩქარით ერცელდებიან. გავრცელების სიჩქარეთა სხვადასხვაობის გამო არაჩვეულებრივი ($E_{არ}$) ტალღისა და ჩვეულებრივი ტალღის ($E_{ჩვ}$) ელექტრული ვექტორების რხევების ფაზები კერის უჯრედიდან გამოსვლისას არ ემთხვევა ერთმანეთს, რის შედეგადაც მაჯამებელი სინათლის ტალღა აღმოჩნდება ელიფსურად პოლარიზებული და ანალიზატორს ნაწილობრივ გაივლის. თუ კერის უჯრედსა და A ანალიზატორს შორის მოვათავსებთ K კომპენსატორს, რომელიც ელიფსურად პოლარიზებულ სინათლეს გარდაქმნის წრფივად პოლარიზებულად, მაშინ კომპენსატორის მობრუნებით შეიძლება სინათლე მთლიანად ჩავაქროთ ანალიზატორით. თუ ვიცით კომპენსატორის მობრუნების კუთხე, შეიძლებს გამოვთვალოთ ორმაგი სხივთტეხის სიდიდე $\Delta n = n_{არ} - n_{ჩვ}$, სადაც $n_{არ}$ და $n_{ჩვ}$ არაჩვეულებრივი და ჩვეულებრივი ტალღების გარდატეხის მაჩვენებლებია.



კერის უჯრედი

რებოდა. 1923 წ. 11 მაისის პასუხით და ჰ. უ-თან დაკავშირებული დიპლ. მიმოწერით საბჭ. მთავრობამ გადაჭრით უარყო ჰ. უ.— დათანხმდა მხოლოდ ზოგ მეორეხარისხოვან მოთხოვნაზე. ჰ. უ-ს მხარი არც დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა დაუჭირეს. დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა მასზე უარი ეთქვა.

„კერზონის ხაზი“, ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ 1919 წ. 8 დეკ. პოლონეთის აღმ. საზღვრად რეკომენდებული ხაზის პირობითი სახელწოდება. გადიოდა გროდნო—იალოვკა—ნემიროვ—ბრესტ-ლიტოვსკ—დოროგუსკ—უსტილუგის გასწვრივ გრუბეშოვის აღმ-ით, კრილოვზე, რავა-რუსკაიის დას-ით, პერემიშლის აღმ-ით კარპატებამდე. საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ პოლ. აგრესიული ომის წარუმატებლობის პირობებში პოლ. წარმომადგესლები 1920 წ. 10 ივლ. სპის (ბელგია) კონფერენციაზე დასავლეთის სახელმწიფოთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად დათანხმდნენ ეცნოთ ეს ხაზი. ჯ. *კერზონმა* საბჭ. მთავრობას სპეც. ნოტით მოსთხოვა ამ ხაზზე წითელი არმიის შეტევის შეჩერება. საბჭ. მთავრობა დათანხმდა საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე და მზად იყო „ჰ. ხ-იდან“ რამდენადმე უკან დაეხია კიდეც. მაგრამ პოლ. მთავრობამ ისარგებლა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობით და საბჭ. მთავრობა აიძულა დათანხმებულიყო საზღვარზე, რ-იც „ჰ. ხ-ის“ აღმ-ით გადიოდა, მიიტაცა დას. უკრ. და დას. ბელორ. ნაწილი. 1939 სექტ., როცა ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ ბურჟ. პოლონეთმა დაკარგა დამოუკიდებლობა, საბჭ. მთავრობამ აღადგინა ისტ. სამართლიანობა და აღნიშნული ტერიტორიები თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. 1945 წ. 16 აგვ. მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულებით სსრკ-სა და პოლ. სრ-ს შორის საზღვარი საბოლოოდ იქნა განსაზღვრული (ძირითადად შეესაბამება „ჰ. ხ-ს“).

კერი (Kerr) ჯონ (17. XII. 1824, არდროსანი, შოტლანდია, — 18. VIII. 1907, გლაზგო), ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1890). დაამთავრა გლაზგოს უნ-ტი (1846) და 1857—1901 ასწავლიდა იქვე. აღმოაჩინა *ორმაგი სხივთტეხის* მოვლენა ელექტრულ (1875) და მაგნ. (1876) ველებში მოთავსებულ ნივთიერებაში.

კერი (Carey) ჰენრი ჩარლზ (15. XII. 1793, ფილადელფია,—13. X. 1879, იქვე), ამერ. ეკონომისტი, ვულგარული პოლიტეკონომიის წარმომადგენელი. „კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის“ თეორიის ფუძემდებელი. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამოააშკარავეს კ-ს თეორიულ შეხედულებათა მეცნ. უსაფუძვლობა და რეაქციული აზრი.

კერინგტონი (Carrington) რიჩარდ კრისტოფერ (26. V. 1826, ლონდონი, — 27. XI. 1875, ჩატი, სარი), ინგლისელი ასტრონომი. ძირითადად იკვლევდა მზეს. განსაზღვრა მზის ბრუნვის ელემენტები და ბრუნვის პერიოდის სისტემ. ზრდა ჰელიოგრაფიული განედის (იხ. *ჰელიოგრაფიული კოორდინატები*) მიხედვით. შემოიღო ჰელიოგრაფიული გრძედის ათვლის პირობითი საწყისი მერიდიანი.

კერის ეფექტი, 1. ელექტროოპტიკური კ. ე., *ორმაგი სხივთტეხის* წარმოქმნა ოპტიკურად იზოტროპიულ გარემოში, მაგ., სითხეებსა და აირებში გარე ელექტრული ველის ზემოქმედებით. აღმოაჩინა ჯ. *კერმა* 1875. კ. ე-ის შედეგად სითხე ან აირი ელექტრულ ველში იძენს ისეთი ცალღერძა კრისტალის თვისებებს, რ-ის ოპტ. ღერძი ველის გასწვრივაა მიმართული (იხ. ნახ.).

2. მაგნიტოოპტიკური კ. ე.— ბრტყლად პოლარიზებული სინათლის ელიფსური პოლარიზაცია დამაგნიტებული ფერომაგნ. სხეულიდან არეკვლისას. აღმოაჩინა ჯ. კერმა 1876. ეს ეფექტი ფერომაგნეტიკის თხელ ზედაპირულ ფენაში *ფარადეის ეფექტის* განსაკუთრებული შემთხვევაა.

ლიტ.: Волькенштейн — М. В., Молекулярная оптика, М.—Л., 1951.

კერის უჯრედი, *კერის ეფექტზე* დამყარებული ელექტროოპტიკური მოწყობილობა; იყენებენ მაღალსიხშირული მოდულაციისათვის და სწრაფმოქმედ ოპტ. საკეტებში, რ-თა მეშვეობით შესაძლებელი ხდება ფოტოგრაფირება ძალიან მცირე დაყოვნებით (10^{-8} *წმ*-მდე).

კერკეტები, ერთ-ერთი უძველესი ტომი ჩრდ.-დას. კავკასიაში, ადიღეელთა წინაპრები. ანტ. ხანაში სახლობდნენ შავიზღვისპირეთში. კ-ს იხსენიებენ სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემე და სხვ. ელინისტურ ხანაში გაერთიანდნენ მონათესავე ტომთან — ტორეტებთან. კ-ის ტომის სახელწ. როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო ჩერქეზი ხალხის სახელს.

კერკირა (Kerkyra), იტალ. კორფუ, ქალაქი და ნავსადგური საბერძნეთში, კერკირის სრუტესთან. კერკირის კუნძულისა და ნომის ადმ. ცენტრი. 26,7 ათ. მცხ. (1971). სავაჭრო ცენტრი (გააქვთ ზეითუნის ზეთი, მარცვლეული, ღვინო, ციტრუსები). კვებისა და საფეიქრო მრეწვ. საწარმოები. საპნის, პარაფინის წარმოება.

XIV—XVIII სს-ში (ხანგამოშვებით) კ. ვენეციის ციხესიმაგრე იყო. 1797 დაიპყრო საფრანგეთმა. *უშაკოვის ლაშქრობის* (1798 — 1800) დროს, 1798 წ. 24 ოქტ., რუს.-ოსმ. ესკადრამ ადმ. თ. უშაკოვის სარდლობით დაიწყო კ-ის ბლოკადა, სადაც საფრ. გარნიზონი (დაახლ. 4 ათ. კაცი, 636 ქვემეხი) და ესკადრა (2 სახაზო ხომალდი, 1 ფრეგატი,1 საბომბარდო ხომალდი) იდგა. 9 ნოემბ. კ-ს ალყა შემოარტყეს. 1799 იანვრის რუსეთ-ოსმალეთს ჰყავდა 12 სახაზო ხომალდი, 11 ფრეგატი და 2 კორვეტი. 18 თებ. კ. ვიდოზე გადასხეს 2-ათასიანი დესანტი. ვიდოს გარნიზონი დანებდა. 19 თებ. კი კ-ის გარნიზონმა დაყარა იარაღი. უშაკოვის მოქმედება კ-თან დესანტისა და სახომალდო არტილერიის თანამოქმედების კლასიკური მაგალითია.

კერლი (ძვ. ინგლ. ceorl, სიტყვასიტყვით— ადამიანი), აღრინდელი შუა საუკუნეების ინგლისში ტომის თავისუფალი წევრი. *ერლთან* ერთად კ-ები *ანგლოსაქსთა* საზ-ბის საფუძველს ქმნიდნენ.

კერმადეკი (Kermadec), ვულკანური წარმოშობის 4 კუნძული წყნარი ოკეანის სამხრ.-დას. ნაწილში. ეკუთვნის ახალ ზელანდიას. ფართ. 33 *კმ*². ჰავა ტროპიკულია, ზომიერად თბილი, ნოტიო. ყველაზე დიდი კუნძულია რაული ანუ სანდი (ფართ. 29 *კმ*²). შემოსილია ტროპ. მცენარეულობით. სახელი ეწოდა 1793 დ'ანტრკასტოს ფრანგ. ექსპედიციის მონაწილის ჰ. კერმადეკის პატივსაცემად.

კერმადეკის ღარი, ღრმა წყლის ღარი წყნარი ოკეანის სამხრ.-დას. ნაწილში, კერმადეკის კ-ების აღმ. ძირთან. მიემართება თითქმის მერიდიანულად 1200 *კმ*-ზე. მაქს. სიღრმე 10047 *მ*. უერთდება ტონგის ღარს.

„კერმენი“, ჩრდ. ოსეთის ღარიბი გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რ-იც შეიქმნა 1917 ზაფხულში. სახელი ეწოდა სახ. გმირის ჩერმენის (დიგორულად — კერმენი) პატივსაცემად, რ-იც XIX ს. დასაწყისში შეეწირა ფეოდალებთან ბრძოლას. „კ-ის“ დაარსების ორგანიზატორები იყვნენ გლეხთა წრიდან გამოსული ინტელიგენტები დ. გიბიზოვი, ნ. კესაევი და სხვ. 1917 ოქტ-ში შეიქმნა პარტიის ცკ გიბიზოვის შეთაურობით. წლის ბოლოს ორგანიზაცია 1000-მდე წევრს ითვლიდა. „კ.“ მთლიანად უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. „კ-ის“ წევრთა რაზმები აქტიურად იბრძოდნენ ოსეთის კონტრრევ. წინააღმდეგ და ბევრი მათგანი, მ. შ. გიბიზოვი, კესაევი, გოსტიევი და სხვ., ამ ბრძოლის ველზე დაეცა. 1918 აპრილში „კ.“ შეუერთდა ბოლშევიკების პარტიას. შეიქმნა რკპ (ბ) ოსეთის საოლქო ორგანიზაცია „კერმენი“, რ-საც ს. კიროვი ახასიათებდა როგორც ოსეთის პირობებთან შეხამებულ ბოლშევიკურ პარტიას.

კერნბახი (Kernbach) ვიქტორ (დ. 1923, კიშინიოვი), რუმინელი მწერალი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. 50-იანი წლების დასაწყისიდან დაინტერესდა ქართ. კულტურით, შეისწავლა ქართ. ენა. 1956 დაასრულა ვეფხისტყაოსნის სრული პოეტური თარგმანი, რ-იც 2-ჯერ (1957, 1963) გამოიცა. კ-მა თარგმნა და გამოსცა ნ. ბარათაშვილისა (ბუქარესტი, 1959; თბილისი, 1968) და გ. ლეონიძის (1959) ლექსების კრებულები. მასვე ეკუთვნის „ქართული ხალხური ზღაპრების“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“, დ. გურამიშვილის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, გ აბაშიძის ლექსების თარგმანები. კ. ქართული კულტ. პოპულარიზატორია, რუმ. პრესაში აქვეყნებს სტატიებს საქართველოს შესახებ. რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, რ-საც მიუძღვნა წიგნი „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“ (1958, ქართ. თარგმანი—1968). *ფ. ჯინჯიხაშვილი.*

კერნერი, კერნერ ფონ მარილაუნი (Kerner von Marilaun) ანტონ (12. XI. 1831, მაუტერნი, — 22. VI. 1898, ვენა), ავსტრიელი ბოტანიკოსი, ვენის მეცნ. აკად. წევრი (1872). ინსბრუკისა (1860-იდან) და ვენის (1878-იდან) უნ-ტების პროფესორი. მისი შრომები ეხება ყვავილოვან მცენარეთა სისტემატიკის, გეოგრაფიისა და ეკოლოგიის საკითხებს. ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა *ფიტოცენოზები* და მათი იარუსიანობა. აღმოაჩინა ფოთლის მოზაიკა.

კერნერი (Körner) კარლ თეოდორ (23. IX. 1791, დრეზდენი, — 26. VIII. 1813, გადებაში), გერმანელი მწერალი. პატრ. ლირიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და ანტინაპოლეონისტური განმათ. ომების განთქმული მომღერალი (კრებ. „ლირა და მახვილი“, 1814), მიესალმა ნაპოლეონის წინააღმდეგ ტიროლელთა სახ. აჯანყებას 1810 („ანდრეას ჰოფერის სიკვდილი“, 1810). კ-ის დრამატურგიიდან აღსანიშნავია კომედია „ღამის გუშაგი“ (1812), ტრაგედია „ცრინი“ (1814), დრამა „სასჯელი“ (1812).

კერნი (გერმ. Kern) სამთო საქმეში, ქანის ცილინდრული სვეტი, რ-საც ღებულობენ ჭაბურღილის ბურღვის პროცესში გეოლ. ჭრილის შესასწავლად, სასარგებლო წიაღისეულის კონდიციისა თუ ქანების ფიზ.-მექან. თვისებების დასადგენად და სხვ.

კეროლი (Carroll) ლუის (ნამდვ. გვარი ჩარლზ ლატუიჯ დოჯსონი, Dodgson) (27. I. 1832, დარზბერი, — 14. I. 1898, გილფორდი), ინგლისელი მწერალი. ოქსფორდის უნ-ტის მათ. პროფესორი (1855—81). წერდა საბავშვო მოთხრობებს. ღღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს კ-ის ზღაპრული მოთხრობების სერიები „ელისის თავგადასავლები საოცრებათა ქვეყანაში“ (1865) (ქართ. თარგმანი — „ალისა საოცარ ქვეყანაში“, 1969); „ფანტასმაგორია“ (1869), „ელისი სარკის მიღმა“ (1871), „ელისი მიწისქვეშეთში“ (1886), „სილვია და ბრუნო“ (ორ ნაწილად, 1889—93) და სხვ.

კერპი, მატერიალური საგანი, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტი. კ. აღმოცენდა უძველეს დროში, ცვლიდა ღვთაებას, განასახიერებდა მას ან მის ძალას. უძველეს რელიგიებში არსებობდა როგორც ზოომორფული, ისე ანთროპომორფული კ. მაღალგანვითარებული რელიგიებისათვის დამახასიათებელი იყო ანთროპომორფული კ-ები.

ანთროპომორფული კ. საქართვ. ტერიტორიაზე ჩნდება ენეოლითის ხანიდან. განსაკუთრებით საყურადღებოა ქალის ქანდაკებები, რ-ებიც ნაყოფიერების ქალურ საწყისებს განასახიერებენ, მოგვიანებით ბრინჯაოსა და რკინის ხანაში, მრავლად გვხვდება მამრობითი ღვთაებების გამოსახულებანი.

ოფიც. იდეოლოგიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, შეიქმნა შესაბამის ღვთაებათა პანთეონი. ფარნაოზის დროს მცხეთაში ადრე მდგარ კ-ებს გაცს და გაიმს შეემატა ახ. ღვთაების *არმაზის* კ. მომდევნო მეფეებს კიდევ რამდენიმე კ. აღუმართავთ.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეკლესიამ გაანადგურა ძვ. კ-ები, ისინი შეცვალეს ჯვრებით, ხატებით, წმინდანთა ნაწილებით და სხვ.

გადატანითი მნიშვნელობით კ. ბრმა თაყვანისცემის ობიექტს აღნიშნავს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *ირ. სურგულაძე.*

კერ-პორტერი (Ker-Porter) რობერტ (14. IV. 1775, დარემი, — 22. IV. 1842, პეტერბურგი), ინგლისელი მხატვარი და მოგზაური. რუსეთის იმპ. ალექსანდრე I-ის კარის მხატვარი (1804). 1817 იმოგზაურა კავკასიაში, ირანსა და მცირე აზიაში. 1817 წ. 12 ოქტ. საქართვ. სამხ. გზით თბილისში ჩამოვიდა, სადაც ნოემბრის დასაწყისამდე დაპყო. იყო სოღანლუღში, კოდაში, შულავერში, ლორეში. ნაშრომში „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში" კ-მა დაწვრილებით აღწერა საქართვ. სამხ. გზა, საქართვ. წარსული, ქართველთა ჩვეულები და ადათები, ქალთა ტიპები, ტანსაცმელი. აქვს ცნობები ცალკეულ მოღვაწეებზე, მაგ., ალექსანდრე ბატონიშვილზე, ერმოლოვზე და სხვ.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу в 1800—1830 гг., Тб., 1946.

კერუაკი (Kerouac) ჯეკ (12. III. 1922, ლოუელი, მასაჩუსეტსის შტ., — 21. X. 1969, სენტ-პიტერზბერგი, ფლორიდა), ამერიკელი მწერალი. *ბიტნიკების* თვალსაჩინო წარმომადგენელი. რომანებში „გზაზე" (1957), „დჰარმას მაძიებელი მაწანწალები" (1958), „მიწისქვეშეთის ბინადარნი" (1958), „ბიგ სური" (1962), „სატორი პარიზში" (1966) იგი ნიჰილიზმის, ანარქისტული განწყობილების, საზ. და სოც. ცხოვრებისაგან განდგომის, უპასუხისმგებლობის აპოლოგეტია. კ-ის ნაწარმოებები გამოირჩევა ეპიზოდების ფრაგმენტულობით და ნატურალისტური ასახვით. მათს სპეციფიკურ შინაარსს შეესატყვისება სპეციფიკური „ბიტნიკური" ფორმა: სიუჟეტი არა აქვთ, კომპოზიცია დარღვეულია, თხრობა — ქაოსური.

კერუბინი (Cherubini) ლუიჯი კარლო ზენობიო სალვატორე მარია (8 ან 14. IX. 1760, ფლორენცია, — 15. III. 1842, პარიზი), ფრანგი კომპოზიტორი. წარმოშობით იტალიელი. საფრ. ინ-ტის წევრი (1815). 1778 ალექსანდრიაში დაიდგა კ-ს პირველი ოპერა — „კვინტუს ფაბიუსი". 1784—86 მუშაობდა ლონდონში, შემდეგ დამკვიდრდა პარიზში. საფრ. დიდი რევ. წლებში წერდა მუსიკას მასობრივი დღესასწაულებისა და სამგლოვიარო ცერემონიალებისათვის („ჰიმნი პანთეონს", „ჰიმნი ძმობას"), 1795-იდან (დაარსების დღიდან) პარიზის კონსერვ. ინსპექტორი და პედაგოგი (1816-იდან — პროფესორი), 1822-იდან — დირექტორი. კ. ახ. მუს.-სცენური ჟანრის — „ხსნის ოპერის" — ერთ-ერთი შემქმნელია. ოპერები: „ლოდოისკა" (1791), „ელიზი" (1794), „მედეა" (1797), „თულუზჩი" (1800), 2 რეკვიემი და სხვ.

ლიტ.: Радиге А., Французские музыканты эпохи Великой Французской революции, пер. с франц., М., 1934.

კერულენი, მდინარე მონღ. სრ-სა და ჩინეთში. სიგრძე 1264 *კმ* (აქედან 1090 *კმ* მონღ. სრ-ში). აუზის ფართ. 116,4 ათ. *კმ*². სათავე აქვს ხენტეის ქედის სამხრ.-აღმ. კალთებზე. ზემოთში ვიწრო ხეობაში მიედინება, შუაწელსა და ქვემოთში — განიერ ტერასებიან ხეობაში. ერთვის დალაინორის ტბას. წყალდიდობა იცის ზაფხულში. გაძგიფულია ნოემბერ-აპრილში. მდიდარია თევზით. იყენებენ სარწყავად. კ-ის ნაპირზეა ქ. ჩოიბალსანი.

კერძო ბრალდება, იხ. სტ. *ბრალდება.*

კერძო განჩინება, იხ. სტ. *განჩინება.*

კერძო დიფერენციალი, იხ. სტ. *დიფერენციალური აღრიცხვა.*

კერძო საკუთრება, საკუთრების ფორმა, როდესაც წარმოების საშუალებები და შრომის პროდუქტები კერძო პირს ეკუთვნის. კ. ს. ისტორიული კატეგორიაა. იგი წარმოიშვა პირველყოფილი თემური წყობილების დარღვევის შედეგად. კ. ს-ის წარმოშობის მიზეზია საზ-ბის საწარმოო ძალების განვითარება და მის საფუძველზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და გაცვლის აღმოცენება. კ. ს-ს მივყავართ კლასობრივი საზ-ბის შექმნამდე (*იხ. კლასი*). კ. ს. მონათმფლობელური, ფეოდ. და კაპიტალ. წარმოების წესის განვითარების ამოსავალი და დასაყრდენი პუნქტი იყო. ყოველ აღნიშნულ წარმოების წესში კ. ს-ს თავისი განსაკუთრებული ფორმა ჰქონდა. კაპიტალ. საკუთრება კ. ს-ის უმაღლესი და უკანასკნელი ფორმაა. კაპიტალიზმს მიჰყავს საწარმო ძალთა განვითარება იმ დონემდე, რ-იც წარმოშობს წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარების აუცილებლობას (*იხ. აგრეთვე საკუთრება, საკუთრების უფლება*). *ჯ. კახნიაშვილი.*

კერძო შრომა, *იხ. შრომა.*

კერძო წარმოებული, *იხ. სტ. დიფერენციალური აღრიცხვა.*

კესალტენანგო (Quezaltenango), ქალაქი გვატემალაში, პანამერ. გზატკეცილის მახლობლად, 2350 *მ* სიმაღლეზე. კესალტენანგოს დეპარტ. ადმ. ცენტრი. 66 ათ. მცხ. (1973). მოსახლ. რაოდენობითა და ეკონ. მნიშვნელობით ქვეყნის მეორე ქალაქი. საფეიქრო წარმოება. ხელოსნობა. სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად სიმინდი) ცენტრი.

კესანე, ცისანა (Myosotis), ერთ-, ორ- ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ლაშქარასებრთა ოჯახისა. აქვს პატარა ცისფერი (იშვიათად თეთრი) ყვავილები. გვარში 50-მდე (სხვა მონაცემებით 80-მდე) სახეობაა. გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში, აგრეთვე ტროპ. აფრიკის მთებში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში; მცირე ნაწილი — ამერიკაში. სსრკ-ში 30-მდე სახეობა გვხვდება; საქართველოში — 15. იზრდება ჭაობებში, ტენიან და დაჩრდილულ ადგილებში, ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მდელოებზე. ზოგი სახეობა სარეველაა, ბევრი — დეკორატიული. საქართვ. სუბალპ. და ალპ. მდელოებზე ფართოდ არის გავრცელებული ალპური კ. (M. alpestris).

კესელი (Kessel) ჟოზეფ (დ. 10. II. 1898, კლარა, არგენტინა), ფრანგი მწერალი. საფრ. აკად. წევრი 1962-იდან. 1905—08 სწავლობდა რუსეთში, შემდეგ პარიზსა და ნიცაში. I მსოფლიო ომის დროს იყო მფრინავი და სამხ. კორესპონდენტი; მონაწილეობდა საფრ. წინააღმდეგობის მოძრაობაში. კ-ის რომანებიდან მნიშვნელოვანია „ეკიპაჟი" (1923), „ტყვეები" (1926), „უბედურებათა წრე" (ტ. 1—4, 1950), „ლომი" (1958), „მხედრები" (1967). კ. ავტორია აგრეთვე მოთხრობებისა, რეპორტაჟებისა და ქრონიკისა. 1927 მიაკუთვნეს საფრ. აკად. დიდი პრემია.

კესელრინგი (Kesselring) ალბერტ (20. XI. 1885, მარკშტედტი, — 16. VII. 1960, ბად-ნაუჰაიმი), გერმანელი ფაშისტი გენერალ-ფელდმარშალი (1940). 1936—37 იყო სამხ.-საჰაერო ძალების გენშტაბის უფროსი, 1938 თებ-იდან — 1-ლი საჰაერო ფლოტის სარდალი. 1939 მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგ აგრესიაში. *საფრანგეთის კამპანიის* (1940), ინგლისზე საჰაერო თავდასხმებისა (1940—41) და სსრკ-ზე თავდასხმის დროს სარდლობდა მე-2 საჰაერო ფლოტს. 1941 დეკ-იდან გერმ. სამხრ.-დას. (ხმელთაშუა ზღვა-იტალია) ჯარების მთავარსარდალი. 1945 მარტმაისში გერმ. დას. (დას. გერმანია) ჯარების მთავარსარდალი. 1947 ოქტ-ში როგორც სამხ. დამნაშავეს ბრიტ. სამხ. ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რაც მუდმივი პატიმრობით შეუცვალეს. 1952 ოქტ. გაათავისუფლეს.

კესონი (Quezon) მანუელ ლუის (19. VIII. 1878, ბალერი, — 1. VIII. 1944, სარანაკ-ლეიკი, აშშ), ფილიპინების პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ნაციონალისტების პარტიის ლიდერი (1924-იდან). მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-თან მოლაპარაკებაში (1934) ფილიპინებისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. 1935 აირჩიეს ქვეყნის პირველ პრეზიდენტად — ავტონ. მთავრობის მეთაურად. 1936 გამოაქვეყნა „სოციალური სამართლიანობის" პროგრამა — მუშათა და აგრ. კანონმდებლობის რეფორმების გეგმა, მოახდინა კომპარტიის ლეგალიზება. 1942 წავიდა აშშ-ში, სადაც მეთაურობდა ფილიპინების ემიგრანტულ მთავრობას. მისი სახელი ეწოდა ფილიპინების დედაქალაქსა და პროვინციას.

კესანე (Myosotis palustris).

კესონი არქიტექტურაში. დამპიერ-სიურ-ბუტონის ციხედარბაზის გალერეა. შუა საუკუნეები.

კესონი (ფრანგ. caisson — ყუთი) არქიტექტურაში, ჭერის ან კამარის შიგა ზედაპირზე გადახურვის კოჭებით, კამარის წიბოებით ან დეკორატიული ზოლებით შექმნილი ბადე — კვადრატული ან მრავალკუთხედის ფორმის ჩაღრმავებანი. აქვს კონსტრუქციული და დეკორ. დანიშნულება. იყენებენ აგრეთვე შენობის აკუსტიკის გასაუმჯობესებლად.

კესონი, 1. მშენებლობაში — შემომზღუდი კონსტრუქცია, რ-ის დანიშნულებაა წყალქვეშ ან წყალნაჯერ გრუნტში წყლისაგან თავისუფალი სამუშაო კამერის შექმნა (ნახ. 1). უმთავრესად იყენებენ საძირკვლის, ხიდის, ჰიდროტექ. ნაგებობისა და მისთ. აგებისას. კ-ს ააგებენ წყლის ან გრუნტის ზედაპირზე, შემდეგ კი საკუთარი და კესონზედა ნაშენის წონის (მასის) ზემოქმედებით ჩაუშვებენ წყალში ან გრუნტში (გრუნტის ამოღების პარალელურად; ნახ. 2). 2. გემთრემონტში — მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა გემის წყალქვეშა ნაწილის ნაწილობრივი დაშრობა მისი რემონტის ან დათვალიერების მიზნით. წარმოადგენს ხის ან ლითონის ყუთს, რ-საც შიგა მხარეს აქვს გემის კორპუსის დასაშრობი უბნის კონტურის ფორმის მრუდთაოარგა ამონაჭერი. 3. სამსხმელო წარმოებაში — აგურის ან რკინაბეტონისაგან აგებული მოწყობილობა, რ-საც იყენებენ ე. წ. ორმოითი დაყალიბებისას ყალიბის კედლების გასამაგრებლად და ყალიბში გრუნტის წყლის გაჟონვის თავიდან ასაცილებლად. 4. მეტალურგიაში — ფოლადის კოლოფები, რ-ებიც ცივდება წყლის ცირკულაციის შედეგად. კ-ებისაგან ქმნიან შახტური ღუმლების კედლებს, მათ იყენებენ აირის არხების გასაცივებლად მარტენის ღუმლებში. 5. ავიაციაში — ღრუ კოლოფისებრი გრძივბელი, რ-იც იტანს თვითმფრინავის ფრთაზე მოქმედ ლუნგისა და გრეხის ძალვებს.



კესონი მშენებლობაში

ნახ. 1. კესონი—ჩასაშვები ნაგებობა: 1—სამუშაო კამერა; 2—კესონი; 3—კესონზედა ნაშენი; 4—რაბვის აპარატი.



ნახ. 2. კესონის ჩაშვება (ჩაძირვა): ა—ხმელეთიდან; ბ—ხელოვნური კუნძულიდან; გ—წყლის ზედაპირიდან.

კესონი ალბერტ (20. XI. 1885, მარკშტედტი, — 16. VII. 1960, ბად-ნაუჰაიმი), გერმანელი ფაშისტი გენერალ-ფელდმარშალი (1940). 1936—37 იყო სამხ.-საჰაერო ძალების გენშტაბის

მამალი კეტა: 1—ზღვაში ცხოვრების პერიოდში; 2—გამრავლების პერიოდში.



კეტონები. ციკლოპენტანონი.

ბ. კეშელავა.

კეფალისებრნი: 1—ლობანი; 2—ინდური კეფალი (Eilochelon vaigiensis).

მწარმოებელი რ-ნის ცენტრია. ქალაქში არის სინდოს ინ-ტი, ისტ. მუზეუმი, თეატრი, ტელეცენტრი, პიონერთა სასახლე.

X—XIV სს-ში იყო კორეის სახელმწიფოს დედაქალაქი. 918 ააგეს ქვეყნის მმართველთა 20-კარიანი გალავნით შემოზღუდული სასახლე (დაინგრა 1361). შემორჩენილია ხიონხვასის (1018) და კენჩენსის (1348) ტაძართა პაგოდები, ხიდი, ტაძრები, პავილიონები.

კესონ-სიტი (Quezon City), ქალაქი ფილიპინებში. „კ.-ს." ეწოდა ფილიპინების პირველი პრეზიდენტის მანუელ *კესონის* სახელის მიხედვით. გაშენებულია კ. ლუსონზე, რისალის პროვინციაში, მანილის ჩრდ.-აღმ-ით. 1 მლნ-ზე მეტი მცხ. (1975; 1958 წ. — 130 ათ.). კ.-ს. ქვეყნის სწრაფად მზარდი სავაჭრო-სამრეწვ. და კულტ. ცენტრია. აქ თავმოყრილია უმთავრესად მსუბუქი (საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის და სხვ.) და კვების მრეწვ. საწარმოები. ფილიპინების სახელმწ. უნ-ტი.

კესონური დაავადება, იხ. *დეკომპრესიული დაავადება.*

კესტლრი, კასლრი (Castlereagh) რობერტ სტიუარტ (Stewart). ვიკონტი კასლრი, მარკიზი ლონდონდერი (Londonderry) (18. VI. 1769, დუბლინი, — 12. VIII. 1822, ნორთ-კრეი, კენტი), ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, ჭეშმარიტი ტორების ხელმძღვანელი. 1798—1801 ირლ. საქმეთა მთავარი მდივანი. 1807—09 სამხ. მინისტრი. დანიაზე ინგლისის თავდასხმის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი (იხ. *ინგლის-დანიის ომი 1807—14*). დიდი გავლენით სარგებლობდა რ. ბ. ლივერპულის მთავრობაში. 1813 მონაწილეობდა VI ანტიფრანგ. კოალიციის შექმნაში. 1815 წ. 3 იანვ. ვენის კონგრესზე (1814—15) ავსტრიასთან და საფრანგეთთან საიდუმლო კავშირი დადო რუსეთის წინააღმდეგ. მხარს უჭერდა *საღვთო კავშირის* მოლვაწეობას. კ-ს პოლიტიკა ხელს უწყობდა ევროპაში ფეოდ.-აბსოლუტისტური რეაქციის გაძლიერებას.

კესტნერი (Kästner) ერიხ (23. II. 1899, დრეზდენი, — 29. VII. 1974), გერმანელი მწერალი (გფრ). მნიშვნელოვანია მისი სატირულ-აგრესიული ლირიკა, რ-იც ჰაინეს პოლიტ. ლირიკისა და ვედეკინდის გროტესკულ-პამფლეტური პოეზიის ტრადიციებს აგრძელებს (ლექსთა კრებულები „კაცი ცნობას გვაწვდის", 1930; „ჩემი წიგნების გადათვალიერებისას", 1946; „მოკლედ და კონკრეტულად", 1950); კ. ამათრახებს ფილისტერულ მორალს, ყალბ პათოსს, რეაქციას, მილიტარიზმს (ლექსი „იცნობ ქვეყანას, სადაც ზარბაზნები ყვავიან? " — პაროდია გოეთეს „მინიონზე"). საერთაშ. რეზონანსი ჰქონდა მის საბავშვო წიგნებს „ემილი და დეტექტივები" (1928), „ცეროდენა და ანტონი" (1931), „ორმაგი ლოტხენი" (1949) და სხვ. 1957 მიანიჭეს გ. ბიუხნერის პრემია.

კეტა (Oncorhynchus keta), თევზი ორაგულების გვარისა. მისი სხეულის სიგრძე 1 *მ*-მდეა, მასა 14 *კგ*-მდე. გავრცელებულია წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილში. იკვებება კიბოსნაირებით, მოლუსკებით, თევზებით. მწიფდება 4—5 წლისა. გამსვლელი თევზია. ტოფობისათვის შედის მდინარეში 1000 და მეტ *კმ* მანძილზე. აქვს მსხვილი ქვირითი (5—7 *მმ* დიამეტრისა), ნარინჯისფერი. გამრავლებისას „საქორწინოდ ირთვება", განსაკუთრებით მამალი — სხეული უმუქდება, უწნდება განივი მუქი ჟოლოსფერი ზოლები, ზურგი უკუზიანდება, ხორცი საჭმელად უვარგისი ხდება. ტოფობის შემდეგ იღუპება. კ. ძვირფასი სარეწაო თევზია. იყენებენ დამარილებულს, ამზადებენ ზურგიელს და კონსერვს, ქვირითისაგან — წითელ ხიზილალას. კ. იტანს აკლიმატიზაციას და ხელოვნურადაც მრავლდება.

კეტგუტი (ინგლ. catgut, სიტყვასიტყვით — სიმი), წვრილფეხა რქოსანი საქონლის ნაწლავებიდან დამზადებული ძაფი; მასალა ქირურგ. ნაკერისათვის. ქირურგ. ოპერაციების დროს იყენებენ შინაგანი ორგანოების გასაკერად და სისხლის ძარღვების გადასაკვანძავად.

კეტები (საკ. სახელწ. კეტი, სიტყვასიტყვით — ადამიანი), მდ. ენისეის შუა და ქვემო დინებაში მცხოვრები ხალხი (რსფსრ, კრასნოიარსკის მხარე). რაოდ. 1200 კაცი (1970, აღწერა). ლაპარაკობენ კეტურ და რუს. ენებზე. XVII ს-ში შევიდნენ რუს. სახელმწიფოს შემადგენლობაში. მისდევდნენ ნადირობას და მეთევზეობას, ჩრდ-ში მეირმეობას. ამჟამად კოლბებში გაერთიანდნენ. ვითარდება მეურნ. ახ. დარგები — მებაღეობა, სარძეო მესაქონლეობა.

კეტენი, კარბომეთილენი, $CH_2=C=O$, კეტენების რიგის პირველი წევრი; რეაქციისუნარიანი უჯერი ორგ. ნაერთი; კ. აირია, $t_{დუღ}$ — 41°C, $t_{დნ}$ — 134,6°C; ეფექტური მააცეტილირებელი აგენტი; კ. ადვილად უერთდება წყალს და წარმოქმნის ძმარმჟავას, უერთდება აგრეთვე კეტონებს; მაგ.: კ-ისა და აცეტონისაგან ძიღება დიმეთილ-β-პროპიოლაქტონი. კ. ტოქსიკურობით უახლოვდება ფოსგენს. მრეწველობაში კ-ს ღებულობენ ძმარმჟავას ან აცეტონის პიროლიზით კატალიზატორების თანაობისას. კ-ს იყენებენ მრეწველობაში აცეტილცელულოზის მისაღებად,- პროპიოლაქტონის სინთეზისათვის და სხვ.

კეტი (სათავეში — დიდი კეტი), მდინარე რსფსრ კრასნოიარსკის მხარესა და ტომსკის ოლქში, მდ. ობის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 1621 *კმ*, აუზის ფართ. 94200 *კმ*². სათავე აქვს ობ-ენისეის წყალგამყოფ ჭაობებში. მიედინება დს. ციმბ. ვაკეზე. ქვემოთში იყოფა მრავალ ნაკადად. მდ. ობს უერთდება ტოგურისა და ნარიმის ტოტებით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 236 *კმ*-ზე დაახლ. 502 *მ*³/*წმ*. წყალდიდობა იცის მაის-აგვ-ში. იყინება ოქტ. ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში, ყინულძვრაა აპრ. ბოლოს ან მაისის დასაწყისში. სანაოსნოა დასახლ. პუნქტ უსტოზიორნოემდე.

კეტის აჯანყება 1549, გლეხთა აჯანყება აღმოსავლეთ ინგლისში, რ-ის მიზეზი იყო ე. წ. *შემოღობვანი.* დაიწყო ივნისში ნორფოკის საგრაფოში და გავრცელდა საფოკში და მეზობელ საგრაფოებში. აჯანყებულნი მოითხოვდნენ შემოღობვის საწინააღმდეგო კანონების მკაცრად დაცვას, საიჯარო გადასახადის შემცირებას, მეათედისა და ბატონყმური დამოკიდებულების გაუქმებას და სხვ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა აზნაური რობერტ კეტი (Robert Ket). აჯანყებულებმა გაილაშქრეს ნორფოკის მთავარ ქ. ნორიჯზე და ქალაქის ღარიბების დახმარებით დაიკავეს იგი. დაქირავებული იტალ. და გერმ. ჯარების საშუალებით მთავრობამ აიღო ნორიჯი. 1549 აგვ. გლეხთა ლაშქარი დამარცხდა. აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს, ხელმძღვანელები და ასობით მონაწილე სიკვდილით დასაჯეს. 1549 ბოლოს გამოცემული კანონებით შემოღობვა ნებადართულად გამოცხადდა.

კეტლე (Quételet) ლამბერ ადოლფ ჟაკ (22. II. 1796, გენტი, — 17. II. 1874, ბრიუსელი), ბელგიელი მათემატიკოსი, ასტრონომი, მეტეოროლოგი, სოციოლოგი; მეცნ. სტატისტიკის ერთ-ერთი შემქმნელი. მათ. და ასტრონ. პროფესორი ბრიუსელში (1819). 1820-იდან ბელგ. მეცნ. აკად. წევრი, ხოლო 1834-იდან — მდივანი. 1832-იდან თავის მიერ დაარსებული ასტრონომ. და მეტეოროლ. ობსერვატორიის დირექტორი ბრიუსელში. 1841—74 მისივე ინიციატივით შექმნილი ბელგ. ცენტრ. სტატ. კომისიის თავ-რე; „ელემენტარული ასტრონომიის" ავტორი. კ. პოზიტივიზმის პოზიციებიდან ამტკიცებდა, რომ სოც. ცხოვრება და ფიზ. მოვლენები ექვემდებარება ერთი რიგის კანონებს და ამიტომ ისინი მათ. სტატისტიკის ზუსტი მეთოდებით უნდა შეისწავლონ. კ-მ წამოაყენა ისეთი „საშუალო ადამიანის" (homme moyen) ცნება, რ-საც საშუალო ფიზ., ინტელექტუალური და მორალური მონაცემები აქვს. კ-მ დაამტკიცა, რომ ზოგიერთი მასობრივი საზ. მოვლენა (შობადობა, სიკვდილიანობა, ბოროტმოქმედება და სხვ.) ემორჩილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს. კ-ს ნაშრომი „ადამიანისა და მისი უნარის განვითარების შესახებ ანუ სოციალური ფიზიკის ცდა" მარქსმა შეაფასა როგორც „ჩინებული სამეცნიერო შრომა".

კეტლინსკაია ვერა კაზიმირის ასული [დ. 28. IV (11. V). 1906, სევასტოპოლი], რუსი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1927-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებს 1928-იდან. კ-ს პერსონაჟები სოციალიზმის მშენებელი ადამიანები არიან (მოთხრ. „ნატკა მიჩურინა", 1929; რომანები „სიმაღლე", 1934; „დღეები ჩვენი ცხოვრებისა", 1952; „სხვაგვარად ცხოვრება არ ღირს", 1960 და სხვ.). შექმნა ნაწარმოებები ლენინგრ. დამცველთა შესახებ: „მოთხრობები ლენინგრადელებზე" (1944), „ალყაში" (1947, სსრკ სახელმწ. პრემია, 1948) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

კეტოზები, კარბონილის ჯგუფის შემცველი *მონოსაქარიდები.*

კეტოზი, აცეტონემია, ძროხისა და ცხვრის დაავადება, რ-ისთვისაც დამახასიათებელია ნივთიერებათა (ნახშირწყლების, ცილების, ცხიმების) ცვლის მოშლა. ლაქტაციის მე-2—მე-6 კვირას ავადდება მაღალპროდუქტიული ძროხა, ხოლო დოლის დაწყებამდე 1—2 კვირით ადრე — მაღალნაყოფიერი ცხვარი. დაავადებულ ცხოველს მადა ეკარგება, ხდება, ემჩნევა ნერვული აშლილობა, პერისტალტიკისა და საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების სეკრეციული მოქმედება შესუსტებული აქვს, სისხლში, შარდსა და რძეში მომატებულია კეტონური სხეულები, დაქვეითებულია სარძეო პროდუქტიულობა, ღვიძლის ფუნქცია დარღვეულია. თუ დროულად არ ვუმკურნალებთ, ცხოველი შეიძლება დაიღუპოს. მკურნალობა: დიეტა, გლუკოზის შეყვანა, ჰორმონული პრეპარატები. პროფილაქტიკა: კვებისა და მოვლა-შენახვის წესების დაცვა.

კეტონები, კლასი ორგანული ნაერთებისა, რ-ებიც შეიცავენ ორ ორგ. რადიკალთან დაკავშირებულ კარბონილის ჯგუფს >C=O. განასხვავებენ ალიფატური (ცხიმოვან), ალიციკლური, არომატული და ჰეტეროციკლური რიგის კ-ს. მაგ., უმარტივესი ალიფატური რიგის კ-ია *აცეტონი* CH_3COCH_3, არომატული რიგისა — ბენზოფენონი $C_6H_5COC_6H_5$. არსებობს არასიმეტრიული კ., რ-ებიც შეიცავენ სხვადასხვა რადიკალს R და R′, მაგ., ცხიმოვან-არომატული კ.—აცეტოფენონი $C_6H_5COCH_3$. ცნობილია აგრეთვე ციკლური კ., სადაც CO ჯგუფი ციკლშია ჩართული, მაგ., ციკლოპენტანონი. მრეწველობაში კ-ს ღებულობენ მეორადი სპირტების დეჰიდრირებით, კარბომჟავა კალციუმის მარილების თერმული დაშლით, ნახშირწყალბადების ჟანგვით და მრ. სხვა ხერხით.

კ-ს მრეწველობაში იყენებენ გამხსნელად, აგრეთვე ნედლეულად, მრავალი ორგ. ნაერთის სინთეზისათვის.

ლიტ.: Несмеянов А. Н., Несмеянов Н. А., Начала органической химии, кн. 1—2, М., 1969—70.

კეტრისი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში (კობის სოფსაბჭო), თრუსოს ხეობაში, მდ.

თერგის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 2120 *მ*, ყაზბეგიდან 32 *კმ*. კობის სერგო ორჯონიკიძის სახ. კოლ-ბა (მეცხვაერობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ყანობში (16 *კმ*).

ᲙᲔᲪᲣᲠᲘ ᲔᲜᲐ, განკერძოებით მდგომი ენა. გავრცელებულია რსფსრ კრასნოიარსკის მხარის ტურუხანსკისა და ბაიკიტის რ-ნებში. ლაპარაკობს 900 კაცი (1970, აღწერა). დამახასიათებელია მაგარი და რბილი ხმოვნების დაპირისპირება, გარჩეულია ტონები. ძირითადად აგლუტინაციური ენაა, დასტურდება ფუძის ფლექსია და ინკორპორაცია. სახელებში გარჩეულია გრამატ. კლასი. ზმნას აქვს პირის, კლასის, რიცხვის, დროის, კილოს, ასპექტისა და გარდამავლობის კატეგორიები. თანამედროვე კ. ე-ს 2 დიალექტი აქვს: იმბატური და სიმური (ლაპარაკობს ათიოდე კაცი).

ᲙᲔᲤᲐᲚᲘᲡᲔᲑᲠᲜᲘ (Mugilidae), თევზების ოჯახი კეფალისნაირთა რიგისა. აქვთ ფართო ქერცლით დაფარული წაგრძელებული 35—40 *სმ*, იშვიათად 70—90 *სმ*-ნდე სიგრძის და 6—7 *კგ*-მდე სხეული, ძალიან წვრილი კბილები, პატარა პირი; ზურგზე 2 ფარფლი. ოჯახში 15 გვარის 100-ზე მეტი სახეობაა. ბინადრობენ უმთავრესად ტროპ. და თბილი ზღვების სანაპირო მოქლაში წყალში. სსრკ-ში კ-თა 1 გვარის (Mugil) 8 სახეობა გვხვდება. შავ ზღვაში ბინადრობს კ ე ფ ა ლ ი (M. cephalus), ო ქ რ ო ს ფ ე რ ი კ ე ფ ა ლ ი (M. auratus), მ ა ხ ვ ი ლ ც ხ ვ ი რ ა კ ე ფ ა ლ ი (M. saliens) და სხვ. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებზე რაოდენობით ყველაზე მეტია კეფალი. კ. რეწვისა და სპორტ. ჭერის ობიექტია.

ᲙᲔᲥᲡᲢᲝᲜᲘ (Caxton) უილიამ (დაახლ. 1422—1491), ინგლისელი პირველმბეჭდავი. ბევრს მოგზაურობდა. ფლანდრიაში გაეცნო ბეჭდვის საქმეს და შემდეგ უესტმინსტერში დააარსა სტამბა. აქ იგი ბეჭდავდა ანტ. მწერალთა ნაწარმოებების, ფრანგ, დანიური და სხვ. ძეგლების თარგმანებს, აგრეთვე საკუთარ თარგმანებს (პირველი ინგლ. ნაბეჭდი წიგნი „მოთხრობები ტროის ისტორიიდან", 1475). კ-მა დასტამბა აგრეთვე ჯ. ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობები", ტ. მელორის „ართურის სიკვდილი", ტრაქტატები, ფილოს. გამონათქვამები და სხვ. ხშირად თვითონ იყო რედაქტორიც და წინასიტყვაობის ავტორიც.

ᲙᲔᲛᲔᲚᲐᲕᲐ ბონდო კონსტანტინეს ძე (დ. 22. IX. 1908, სოფ. ტალერი, ახლანდ. გეგეჭკორის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი. სწავლობდა ქუთ. რეალურ სასწავლებელში, ქუთ. პედ. ინ-ტში (1935—36). მასწავლებლობდა 15 წლის განმავლობაში, მუშაობდა ქუთ. თეატრში, რ-საც ხელმძღვანელობდა კ. მარჯანიშვილი. პირველი ლექსი 1923 გამოაქვეყნა, ლექსთა პირველი წიგნი — 1950. ეკუთვნის ლექსთა კრებულები „გულის პასუხი" (1955), „ჩემი რჩეული" (1959), „ვარდის სტუმარი" (1961), „ჩემო კარგო ქვეყანავ" (1965), „ცაო, მაღალო" (1969), „წუთიდან წუთამდე" (1976). კ-ს ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე (კრებულები „მაღლარის ყლორტები" და „მაღალი ცა").

თხზ.: რჩეული, თბ., 1973.

ᲙᲔᲛᲔᲚᲐᲕᲐ ვლადიმერ ანტონის ძე (დ. 24. VIII. 1893, თბილისი), ქართველი საბჭ. გრაფიკოსი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1958). თბილ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი 1943-იდან. ნამუშევრები: „სტალინი ქართველ გლეხებთან" (1928), „კასპის ცემენტის ქარხანა" (1932), „ჩაის კრეფა" (1930, ლითოგრაფია), „კვირიკეთი, ჩაის პლანტაციები" (1940, მონოტიპია), „თბილისის ახალი სანაპირო" (1942), „ბორჯომის ხეობა" (1955), „ქვიშხეთი" (1956) და სხვ.

ᲙᲔᲛᲝᲙᲝᲕᲘ ალიმ ფშემახის ძე [დ. 9 (22). VII. 1914, სოფ. შალუშკა, ახლანდ. ჩეგემის რ-ნი, ყაბ.-ბალყ. ასსრ], ყაბარდოელი საბჭ. პოეტი. ყაბ.-ბალყ. ასსრ სახ. პოეტი (1964); სკკპ წევრი 1941-იდან. 1971-იდან სსრკ მწერალთა კავშირის მდივანია. ხაწარმოებებს აქვეყნებს 1934-იდან. კრებულებში „მხედრის გზა" (1946), „ახალგაზრდობის მიწა" (1948), „ლექსები და პოემები" (1956) და სხვ. ასახა სამამულო ომის პერიოდი, სოციალ. მშენებლობა ომის შემდეგ, ყაბარდოელი ხალხის ყოფა. ავტორია დიოგოგიისა „მწვერვალებს არ სძინავთ" („მშვენიერი გაელვება", წგნ. 1—2, 1960; „მწვანე ნახევარმთვარე", 1966; ა. მ. გორკის სახ. რსფსრ სახელმწ. პრემია, 1968). სსრკ VII—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. კ. დაჯილდოებულია 5 ორდენითა და მედლებით.

ᲙᲔᲩᲘ (ინგლ. ketch), ორანძიანი აფრიანი გემი, რ-საც კიჩოს ანძა საჭის ლერძის წინა აქვს. კ-ის ტიპის საიალქნო აღჭურვილობა (ბერმუდის ან გაფელის) აქვს ზოგიერთ თევზსაჭერ ეემს, დიდ სპორტ. იახტებს.

ᲙᲔᲩᲙᲔᲛᲔᲢᲘ (Kecskemét), ქალაქი უნგრეთში, დუნაისა და ტისის შუამდინარეთში. ბაჩ-კიშკუნის მედიეს ადმ. ცენტრი. 90 ათ. მცხ. (1976). მებაღეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის დიდი რ-ნის ცენტრი. კვების მრეწვ., ლითონნაკეთობათა, მაგნიტოფონის, ფეხსაცმლის წარმოება. სოფ. მეურნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი.

ᲙᲔᲩᲣᲐ, კ ი ჩ უ ა, კ ე შ უ ა, ყველაზე მრავალრიცხოვანი თანამედროვე ინდიელი ხალხი სამხრ. ამერიკაში. შეადგენენ პერუს, ბოლიკიის, ეკვადორის მოსახლ. მნიშვნელოვან ნაწილს. ცხოვრობენ აგრეთვე ჩრდ. ჩილესა და არგენტინაში. საერთო რაოდ. დაახლ. 12,5 მლნ. კაცი (1973, შეფასება). ლაპარაკობენ კეჩუა ენაზე. რელიგიით უმეტესობა კათოლიკეა, ინარჩუნებენ წინაქრისტ. რწმენის გადმონაშთებსაც. ინკების სახელმწიფოს წარმოქმნამ ხელი შეუწყო კ-ს ტომების ეთნ. შეკავშირებას. XVI ს-ში ესპ. დაპყრობებმა გამოიწვია კ-ს ტომობრივი მიჯნების მოშლა, განმათ. მოძრაობის განვითარება და ერთიანი სახ. ენის ჩამოყალიბება. კ. ხალხის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა XVIII ს. 80-იან წლებში ტუპაკ ამარუს აჯანყებამ. კოლონიზაციის ბოლო ეტაპზე (XIX ს. I ნახ.) შეიქმნა კ. ეროვნება, რ-შიც მრავალი ეთნ. ჯგუფი შევიდა. წამყვანი დარჩა სოფ. მეურნ.; მცირერიცხოვანი მუშათა კლასი ძირითადად დაკავებულია მსუბუქ და სამთო მრეწველობაში.

ლიტ.: Народы Америки, т. 2, М., 1959.

ᲙᲔᲩᲣᲗᲘᲡ ᲥᲔᲓᲘ, იხ. *ჯავახეთის ქედი.*

ᲙᲔᲪᲘ, თიხის ან თირის (რბილი ნაცრისფერი ქვა) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი. იხმარება პურეულის გამოსაცხობად. კ-ს ძველთაგანვე ქალი ამზადებდა, მაგრამ კერამ. წარმოების ისეთ ცენტრებში, სადაც თიხის ჭურჭელს ამზადებდნენ ბაზარზე გასატანად, ამ საქმიანობას მამაკაცები მისდევდნენ. დას. საქართველოში და აღმ. საქართველოს მთაში კ. დღესაცაა შემორჩენილი.

ლიტ.: ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ლ., ქართული კერამიკა, [ტ.] 1 —კახური, თბ , 1949.

მ. ზანდუკელი.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ვლადიმერ (ლადო) ზაქარიას ძე [2 (14). I. 1876, სოფ. თლია, გორის მაზრა, — 17 (30). VIII. 1903, თბილისი], პროფესიონალი რევოლუციონერი, რსდმპ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამაარსებელი ამიერკავკასიაში. 1889—91 სწავლობდა გორის სას. სასწავლებელში. 1891 ჩაირიცხა თბილ. სას. სემინარიაში. აქვე ჩაება მოსწავლეთა არალეგალურ წრეში. 1893 დეკში ხელმძღვანელობდა სემინარიელთა გაფიცვას, რის გამოც სემინარიიდან გარიცხეს. 1894 ჩაირიცხა კიევის სას. სემინარიაში, საიდანაც რევ. საქმიანობისათვის დაითხოვეს (1896), დააპატიმრეს და 3 თვის შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 1897 ფარულად ჩამოვიდა თბილისში და ს.-დ. ორგანიზაციის *„მესამე დასის"* წევრი გახდა. 1900 იანვარში რსდმპ თბილ. კომიტეტის დავალებით ბაქოში ჩავიდა, სადაც 1901 მისი აქტ. მონაწილეობით დაარსდა ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ ბაქოს კომიტეტი და არალეგალური სტამბა *„რინა"*. 1902 სექტ. დააპატიმრეს ბაქოში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში, სადაც პოლიტ. პატიმართა შორის რევ. პროპაგანდას ეწეოდა. 1903 წ. 14—15 ივლ. კ-ის მეთაურობით მოეწყო პატიმართა გაფიცვა. 1903 წ. 17 აგვ. კ. მოსყიდულმა გუშაგმა მოკლა ციხის საკანში.

კ-ის დაღუპვის გამო რსდმპ კავკ. კავშირის თბილ. და ბაქოს კომიტეტებმა გამოსცეს პროკლამაციები ქართ., რუს. და სომხ. ენებზე, კავკ. კავშირმა მის ხსოვნას მიუძღვნა ბროშურა „ლადო კეცხოველი, მისი ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა"; თბილისში დაიდგა ძეგლი, მისი სახელი ეწოდა მრავალ კოლ-ბას და ქუჩას.

ლიტ.: გ ე გ ე შ ი ძ ე ზ., ლადო კეცხოველი (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977.

ზ. გეგეშიძე.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე (დ. 26. XII. 1897, სოფ. ტყვიავი, ახლანდ. გორის რ-ნი), ქართველი საბჭ. ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1937), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1945). სკკპ წევრი 1940-იდან. 1926 დაამთავრა თბილ. უნ-ტის პედ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა. 1929-იდან თსუ-ის ბოტანიკის კათედრის დოცენტია, ხოლო 1933-იდან—ამ კათედრის უცვლელი გამგე. იყო საქ. სსრ მეცნ. აკად. სას.-სამ. განყ-ბის თავ-რე (1942—57), ბიოლ. განყ-ბის თავ-რე (1957—63), ვიცეპრეზიდენტი (1943—45), თსუ-ის რექტორი (1945—52). 1963-იდან საქ. სსრ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტის დირექტორი, საქ. სსრ ბოტან. საზ-ბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი (1958) და უცვლელი თავრე. ქსუ-ის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ძირითადი შრომები ეხება საქართვ. მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტან.-გეოგრ. და სისტემ. გამოკვლევას, მის თანამედროვე მდგომარეობას, აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. აქვს მრავალი ლიტ. ნარკვევი, ნოველა და მოთხრობა („თოვლიან მთებში", 1927; „ცხრათვალა მზის ქვეშ", 1968; „მორბის არაგვი არაგვიანი", 1971; „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია", 1974, რუსთაველის სახ. პრემია, 1975; „მეცხრე მთაც გადავიარე", 1976; „კიდევაც დაიზრდებიან", 1978). თავის მხატვრულ ნაწარმოებებში კ. გვევლინება როგორც ბიოლოგი და მეცნიერების პოპულარიზატორი, ბუნების სიმ-

ქვის კეცი. წულუკიძის რაიონი სოფ. ბესეური. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ვ. კეცხოველი.

ნ. კეცხოველი.

ვ. კ ე შ ე ლ ა ვ ა. „ბორჯომი. ლიკანი". 1955.

შავი კეწერა.



კეხურა.



კვადრატი. a—კვადრატის გვერდი; d—დიაგონალი; $d=\sqrt{2}a\approx1{,}41a$, ფართობი $S=a^2=d^2/2$.



კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. თესლის განლაგება და მწკრივების მდებარეობა (*სმ*-ბით) კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დროს.

დიდრეთა და მშობლიური მხარის ღირსშესანიშნაობათა დამცველი. მიღებული აქვს საკავშ. საზ-ბა „ცოდნის" პრემია (1975), თსუ-ის პრემია (1975). საქ. სსრ I—III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, ი. გოგებაშვილის სახ. (1960), ი. ჯავახიშვილის სახ. (1970) და სხვ. მედლებით.

თხზ.: კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957; მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე, ტფ., 1928; მაურდში დაჭრილი ბუნება, თბ., 1973; მომავლისკენაც გავიხედოთ, თბ., 1974; სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლა, ტფ., 1924; საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959; საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, ტფ., 1935.

ლიტ.: ნიკო კეცხოველი. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1978. *მ. ლორთქიფანიძე.*

კეცხოველი სევერიან ნიკოლოზის ძე (14. XII. 1906, სოფ. ტყვიავი, ახლანდ. გორის რ-ნი,—31. V. 1980, თბილისი), ქართველი საბჭ. გრაფიკოსი. საქ. სსრ დამს. მხატვარი (1962). სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1926—30). მუშაობდა წიგნის გრაფიკასა და ლითოგრაფიაში, ქმნიდა პორტრეტებს. ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ვაჟა-ფშაველას, (1933), ა. წერეთლის (1933) პორტრეტები, „ვაჟა-ფშაველა მონადირე" (1933, საქ. სსრ ლიტ. მუზეუმი), გრაფიკულად გააფორმა ვეფხისტყაოსანი (1947) და სხვ.

კეფარა (Empetrum), მცენარეთა გვარი კეფარასებრთა ოჯახისა. მარადმწვანე (ფოთოლს ინარჩუნებს 3—5 წელს) ქონდარა, გართხმული ბუჩქებია. შეიცავს 16-მდე სახეობას, რ-იც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, სამხრ. ანდებში, ატლანტის ოკეანის სამხრ. ნაწილში მდებარე კ-ებსა და ანტარქტიკაში. იზრდება ბარისა და მთის ტუნდრაში (გოლცებზე), ტყე-ტუნდრაში, სფაგნუმიან ჭაობებში, წიწვოვან ტყეებში, ალპურ სარტყელში და სხვ. სინათლის მოყვარული და *მიკოტროფული მცენარეებია*. სსრკ-ში 7 სახეობაა, მათგან ერთი ენდემური. უფრო მეტად ცნობილია შავი კ. (E. nigrum). საქართველოში და მთელ კავკასიაში იზრდება კავკასიური კ. (E. caucasicum); აქვს წვრილი დაკლაკნილი ტოტები და წვეროსკენ შევიწროებული ჯირკვლოვან-ბუსუსიანი მოყვითალო-მწვანე ფოთლები. იზრდება მეტწილად ალპურ ხალებზე, სუბნივალური სარტყლის ღორღიან ადგილებში, კლდეებზე და სხვ. კ-ს ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს, იჭმება. სამკურნ. და დეკორ. მცენარეებია.

მ. სახოკია.

კეფარასებრნი (Empetraceae), ორლებნიან მცენარეთა ოჯახი. გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში, არქტიკასა და ანტარქტიკაში. შეიცავს 3 გვარს: ცერატიოლას (Ceratiola, 1 სახეობა), კორემას (Corema, 2 სახეობა) და *კეწერას* (16 სახეობა). მარადმწვანე ქონდარა ბუჩქებია. საქართველოში და საერთოდ სსრკ-ში გვხვდება ამ ოჯახის 1 გვარი — კეწერა. კულტივირებულია Corema album. *მ. სახოკია.*

კეფეფურა (Koeleria), მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახების გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მკვრივ ან მეჩხერკორდოვანი თავთავიანი მცენარეებია. 60-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერი ჰავის ზონაში. სსრკ-ში 30-მდე სახეობაა, საქართველოში 11; უმრავლესობა იზრდება დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე — ველებსა და მდელოებზე, ბუჩქნარებში, ქვიან ფერდობებზე, 4 სახეობა კი სუბალპ. და ალპ. სარტყელში; მაღალმთის მდელოებზე უფრო ხშირია გვალვაგამძლე დიდყვავილა კ. (K. macrantha, ადრე K. gracilis) და კავკასიური კ. (K. caucasica). საქართველოს ენდემი ალბოვის კ. (K. albovii) იზრდება აჭარისა და გურიის ალპ. სარტყელში. კ-ს სახეობები ნაკლებმნიშვნელოვანი საძოვრის ბალახია. *მ. სახოკია.*

კეჩიეთი, სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში (ჭახათის სოფსაბჭო), მდ. კინტრიშის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 300 *მ*, ქობულეთიდან 17 *კმ*. ჭახათის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ჭახათში (1 *კმ*).

კეხვი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ქურთის სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 960 *მ*, ცხინვალიდან 10 *კმ*. კოლ-ბა (მებაღეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია (კეხვის ციხე) XVI ს-ში, როცა ქვეყანაში გაბატონებულ ოსმალებს აუჯანყდა მეფე სიმონ I და ოსმალოფილი ვახტანგ მუხრანბატონი კეხვის ციხეში ჩასვა. 1625 გიორგი სააკაძემ სპარსელებთან ბრძოლის წინ კეხვის ციხეც გაამაგრა. 1745 ციხე აიღო მეფე თეიმურაზ II-მ და დააპატიმრა აქ გამაგრებული სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალის გივი *ამილახვრის* მომხრენი. XVIII ს. ბოლომდე კეხვის ციხემ არაერთგზის განიცადა ლეკი ფეოდალების თავდასხმები. ციხე აღმართულია მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს, მაღალი მთის წვერზე. თავდაპირველად აქ იდგა დიდი კოშკი, რ-საც სამხრ-ით გალავანი ჰქონდა მიშენებული. მოგვიანებით ციხე ბევრჯერ გაამაგრეს და გაადიდეს, ააგეს ახ. გალავანი და კოშკები. ციხეს ჰქონდა დიდი ტევადობის წყალსაცავი. შესასვლელი დას. მხრიდან აქვს. ციხის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კოშკის ქვედა ნაწილში შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები.

ჯ. გვასალია. შ. საღარაძე.

კეხვის ციხე. შუა საუკუნეები

კეხვის არხი, სარწყავი სისტემა აღმ. საქართველოში, შიდა ქართლში. იწყება ჯავის რ-ნში, მდ. დიდი ლიახვის მარჯვ. ნაპირიდან. მიემართება მდინარის პარალელურად სამხრ-კენ, შემდეგ — სამხრ.-დას-კენ, გადადის მდ. აღმ. ფრონის ხეობაში და მთავრდება სოფ. ხეთაგუროვთან. სიგრძე 27 *კმ*. ექსპლუატაციაშია 1948-იდან. რწყავს ცხინვალის (1583 *ჰა*), ზნაურის (2194 *ჰა*), გორისა (666 *ჰა*) და ჯავის (51 *ჰა*) რ-ნების ბაღ-ვენახებსა და ყანებს. *ი. აფხაზავა.*

კეხიჯვარი, სოფელი ქარელის რ-ნში, მდ. ძამის მარჯვ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ვედრება, თათანაანთუბანი, კლდუ, კრობანი, სამწერისი, სანებელი, ქობესაანთუბანი). ზ. დ. 670 *მ*, ქარელიდან 6 *კმ*. მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყბა. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. სოფლის სამხრ-ით, გორაკზე, სამების ეკლესია (XIX ს.) დგას; აშენებულია ძვ. ეკლესიის ადგილზე (შემორჩენილია მისი ცალკეული ფრაგმენტები).

კეხოვანი, სოფელი ადიგენის რ-ნში (ჭეჭლის სოფსაბჭო), არსიანის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1600 *მ*, ადიგენიდან 20 *კმ*. მოხის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭ. მეურნ. (მემცენარეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ჭეჭლაში (3 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი.

კეხურა, ძვ. ქართული ვაშლის ჯიში. გავრცელებულიყ ქართლში, მესხეთში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამხრ. ოსეთში. ხე სწრაფად იზრდება, აქვს ძლიერ გადაშლილი ვარჯი. მსხმოიარობას იწყებს მე-6—მე-7 წელს, უხვმოსავლიანია (სრულმოსავლიანი ხე საშ. 700—800 *კგ* იძლევა), მეწლეა. ნაყოფი მსხვილი ან საშ. ზომისაა, ფერად უფრო მომწვანო-მოყვითალოა, ზემოდან წითლად შეფერილი, მასა 190 *გ*. აქვს სქელი, უხეში და მკვრივი კანი, მოთეთრო-ცომწვანო, წვნიანი, უარომატო რბილობი. კრეფენ ოქტ. II ნახევარში. სარდაფის პირობებში ინახება მეორე მოსავლის აღებამდე. ტრანსპორტაბელურია.

შ. ახლედიანი.

კვაგა (Equus quagga), ზებრის ერთ-ერთი სახეობა. გავრცელებულია სამხრ. აფრიკაში. აერთიანებს 5 ქვესახეობას: ჩვეულებრივ კ-ს (E. qu. quagga), სხვა ზებრებისაგან განსხვავებით, სხეულსა და კიდურებზე განივი ზოლები სუსტად აქვთ განვითარებული. დაახლოებით 1860 განადგურდა, ხოლო მისი უკანასკნელი ეგზ. ამსტერდამის ზოოპარკში 1883 დაიღუპა; ბურჩელის ზებრა (E. qu. burchelli) 1910 მოისპო; ჩაპმანის ზებრა (E. qu. antiquorum), სელუსის ზებრა (E. qu. selousi) და გრანტის ზებრა (E. qu. boehmi) გვხვდება როგორც ბუნებაში, ისე ნაკრძალებში.

კვადრანტი (ლათ. quadrans, ნათ. ბრ. quadrantis — მეოთხედი ნაწილი), 1. სიბრტყის კ. — ერთ-ერთი იმ ნებისმიერი 4 არიდან (კუთხიდან), რ-ებიც მიიღება სიბრტყეზე ორი ურთიერთპერპენდიკულარული წრფის გადაკვეთით, როდესაც ეს წრფეები მიღებულია საკოორდინატო ღერძებად; 2. წრის კ.—90°-გრადუსიანი ცენტრ. კუთხის სექტორი, წრის 1/4 ნაწილი.

კვადრატი (ლათ. quadratus — ოთხკუთხა), 1. ტოლგვერდა მართკუთხედი. კ. წესიერი *მრავალკუთხედია*. 2. *a* რიცხვის კ.— ნამრავლი $a\cdot a=a^2$. ამ ნამრავლით გამოისახება იმ კვადრატის ფართობი, რ-ის გვერდია *a*. სახელწ. აქედანაა.

კვადრატი პოლიგრაფიაში, წრფივი ზომის ერთეული, რ-საც იყენებენ შრიფტის, ანაწყობის ფორმატისა და სხვ. გასაზომად. 1 კ. = 48 პუნქტს = 18,0412 *მმ*. კ-ს უწოდებენ აგრეთვე სტრიქონში დიდი ხარვეზების შესავსებ სახარვეზო მასალას.

კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვის ერთ-ერთი წესი, რ-ის დროსაც რამდენიმე ცალ თესლს ყრიან კვადრატის (მართკუთხედის) კუთხეებში. დასათესად იყენებენ სპეც. მანქანებს (სკნკ-4, სკნკ-6, სტხ-4ა და სხვ.). ასეთი წესით თესვის დროს ნაკლები თესლი იხარჯება, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ასე თესავენ სიმინდს, მზესუმზირას, ბამბას, ზოგიერთ ბოსტნეულს და სხვა სათოხნ კულტურას.

გ. ქეშელაშვილი.

კვადრატული გადახრა, სტანდარტული გადახრა $x_1, x_2, \ldots, x_n$ სიდიდეებისა *a* სიდიდისაგან—კვადრატული ფესვი $[(x_1-a)^2+(x_2-a)^2+\ldots+(x_n-a)^2]/n$ გამოსახულებიდან. კ. გ-ს უმცირესი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც $a=\bar{x}$, სადაც $\bar{x}$ არის $x_1, x_2, \ldots, x_n$ სიდიდეების საშ. არითმეტიკული: $\bar{x}=(x_1+x_2+\ldots+x_n)/n$. ამ შემთხვევაში კ. გ. შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც $x_1, x_2, \ldots, x_n$, სიდიდეების გაბნევის ზომა. ხმარობენ აგრეთვე კ. გ-ის უფრო ზოგად ცხებას — აწონილ კ. გ-ს:

$$\sqrt{\frac{[p_1(x_1-a)^2+\ldots+p_n(x_n-a)^2}{p_1+p_2+\ldots+p_n}},$$

სადაც $p_1, p_2, \ldots, p_n$ რიცხვებით აღნიშნულია $x_1, x_2, \ldots, x_n$ სიდიდეების შესაბამისი წონა. აწონილი კ. გ. უმცირეს მნიშვნელო-

ბას აღწევს მაშინ, როდესაც $a = (p_1x_1 + p_2x_2 + \ldots + p_nx_n)/(p_1 + p_2 + \ldots + p_n)$.

ალბათობის თეორიაში σ_X კ. ბ. X შემთხვევითი სიდიდისა ეწოდება კვადრატულ ფესვს მისი დისპერსიიდან, ე. ი. $\sqrt{D(X)}$ გამოსახულებას.

კვადრატული განტოლება, $ax^2+bx+c=0$ სახის განტოლება, სადაც a, b, c რაიმე რიცხვებია და $a \neq 0$ (a, b, c-კ. ბ-ის კოეფიციენტებია). კ. ბ-ს აქვს ორი ფესვი, რ-ებიც მიიღება ფორმულებით:

$$x_1 = \frac{-b+\sqrt{b^2-4ac}}{2a} \text{ და } x_2 = \frac{-b-\sqrt{b^2-4ac}}{2a}.$$

$D=b^2-4ac$ გამოსახულებას ეწოდება კ. ბ-ის დისკრიმინანტი. თუ $D>0$, კ. ბ-ის ფესვები ნამდვილია და ერთმანეთისაგან განსხვავებული, როცა $D<0$, ფესვები შეუღლებული კომპლ. რიცხვებია, ხოლო თუ $D=0$, მაშინ ფესვები ნამდვილია და ტოლი. კ. ბ-ის ფესვებსა და კოეფიციენტებს შორის კავშირი გამოისახება ვიეტის ფორმულებით: $x_1+x_2=-b/a$, $x_1x_2=c/a$. კ. ბ-ის ამოხსნა გეომ. ფორმით ცნობილია უძველესი დროიდან.

კვადრატული ნაშთი, რიცხვთა თეორიის ცნება. კ. ნ. m მოდულით არის ისეთი a რიცხვი, რ-ისთვისაც $x^2 \equiv a \pmod m$ *შედარებას* აქვს ასეთი ამონახსნი: რაიმე მთელი x რიცხვისათვის x^2-a იყოფა m-ზე; თუ ამ შედარებას ამონახსნი არა აქვს, მაშინ a-ს ეწოდება კვადრ. არანაშთი. თუ m კენტი მარტივი რიცხვია, მაშინ 1, 2... და $m-1$ რიცხვებს შორის მოიძებნება $(m-1)/2$ კ. ნ. და $(m-1)/2$ კვადრ. არანაშთი მარტივი m მოდულით. კ. ნ-ს შეისწავლიან ლეჟანდრის სიმბოლოთი $\left(\frac{a}{m}\right)$, რ-იც შემდეგნაირად განისაზღვრება: თუ a და m ურთიერთმარტივია, მაშინ $\left(\frac{a}{m}\right)=1$, როცა a—კ. ნ. და $\left(\frac{a}{m}\right)=-1$, როცა a — კვადრ. არანაშთია. სამართლიანია კ. ნ-ის ე. წ. შექცევადობის კანონი. თუ m და q მარტივი განსხვავებული კენტი რიცხვებია, მაშინ

$$\left(\frac{m}{q}\right)\left(\frac{q}{m}\right) = (-1)^{\frac{m-1}{2}\cdot\frac{q-1}{2}}.$$

ეს კანონი პირველად ლ. ეილერმა დაადგინა დაახლ. 1772. თანამედროვე ფორმულირება ჩამოაყალიბა ა. ლეჟანდრმა, ხოლო სრულად დაამტკიცა კ. გაუსმა 1801.

კვადრატული ფორმა, $x_1, x_2, \ldots, x_n$ ცვლადების მე-2 ხარისხის *ფორმა*, ე. ი. ამ ცვლადების მრავალწევრი, რ-ის ყოველი წევრი შეიცავს ან რომელიმე ცვლადის კვადრატს, ან ორი განსხვავებული ცვლადის ნამრავლს. როდესაც $n=2$, კ. ფ-ის ზოგადი სახე ასეთია: $ax_1^2+bx_2^2+cx_1x_2$; თუ $n=3$, მაშინ $ax_1^2 + bx_2^2 + cx_3^2 + dx_1x_2 + ex_1x_3 + fx_2x_3$, სადაც a, b, c, d, e, f რაიმე რიცხვებია. ნებისმიერი კ. ფ. იწერება შემდეგნაირად

$$A(x) = \sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{n} a_{ij}\, x_i\, x_j,$$

ამასთან, თვლიან, რომ $a_{ij}=a_{ji}$. 2, 3 და 4 ცვლადის კ. ფ-ები უშუალოდ არის დაკავშირებული სიბრტყეზე წირების, ხოლო სივრცეში მეორე რიგის ზედაპირთა თეორიებთან.

კვადრატული ცდომილება, იგივეა, რაც *კვადრატული გადახრა* ალბათობის თეორიაში.

კვადრატურა (ლათ. quadratura — კვადრატული ფორმის მიცემა), 1. მოცემული ფიგურის ფართობში კვადრატული ერთეულების რიცხვი; 2. მოცემული ფიგურის ტოლდიდი კვადრატის აგება. 3. *ფართობის* ან *ინტეგრალის* გამოთვლა.

კვადრატურა ასტრონომიაში, ცის სფეროზე მზის, მთვარისა და პლანეტების ურთიერთმდებარეობების, ე. წ. კონფიგურაციების ერთ-ერთი სახეობა. იხ. სტ. *კონფიგურაციები* ასტრონომიაში.

კვადრატურული ფორმულები, ფორმულები, რ-ებსაც იყენებენ განსაზღვრული ინტეგრალის მიახლოებითი მნიშვნელობის გამოსათვლელად, როდესაც ცნობილია ინტეგრალქვეშა ფუნქციის მნიშვნელობები სასრული რაოდენობის წერტილებში. ყველაზე უფრო გავრცელებულ კ. ფ-ებს აქვს შემდეგი სახე $\int_a^b f(x)\,dx = A_1 f(x_1)+\ldots+A_nf(x_n)+R_n$, სადაც $x_1, x_2, \ldots, x_n$ არის კ. ფ-ის კვანძები, $A_1, A_2, \ldots, A_n$ კ. ფ-ის კოეფიციენტები და R_n ე. წ. ნაშთითი წევრი. მაგ., $\int_a^b f(x)\,dx = \frac{b-a}{2}[f(a)+f(b)] - \frac{(b-a)^2}{12} f''(\xi)$, სადაც $a \leqslant \xi \leqslant b$ (ტრაპეციების ფორმულა). ზოგჯერ კ. ფ-ს მექანიკური ან რიცხვითი კვადრატურების ფორმულებსაც უწოდებენ.

ლიტ: Крылов В. И., Приближённое вычисление интегралов, 2 изд., М., 1967.

კვადრივიუმი (ლათ. quadrivium, სიტყვასიტყვით — ოთხი გზის გადაკვეთა), შუა საუკუნეების სკოლაში საერო განათლების მაღალი კურსი; შედგებოდა 4 საგნისაგან: მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია. *ტრივიუმთან* ერთად შეადგენდა ე. წ. *შვიდ თავისუფალ ხელოვნებას*.

კვადრილიონი (ფრანგ. quadrillion), რიცხვი, რ-იც გამოისახება 1-ით და 15 ნულით, ე. ი. 10^{15}; ზოგჯერ კ-ს უწოდებენ 10^{24} რიცხვსაც.

კვადრუპოლი (ლათ. quadrum — ოთხკუთხედი, კვადრატი და ბერძნ. polos—პოლუსი), დამუხტულ ნაწილაკთა სისტემა, რ-ის სრული ელექტრული მუხტი და *დიპოლური მომენტი* ნულის ტოლია. კ. შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთობლიობა ერთმანეთიდან რაიმე მანძილით დაშორებული ორი ერთნაირი დიპოლისა, რ-თა დიპოლური მომენტები სიდიდით ტოლია და ურთიერთსაწინააღმდეგოდაა მიმართული (იხ. ნახ.). კ-იდან დიდ R მანძილებზე მისი ელექტრული ველის E დაძაბულობა კლებულობს R-ის მეოთხე ხარისხის უკუპროპორციულად ($E \sim 1/R^4$). E-ს დამოკიდებულება მუხტების სიდიდესა და მათ ურთიერთმდებარეობაზე ზოგად შემთხვევაში აიწერება ხუთი დამოუკიდებელი სიდიდის ერთობლიობით, რ-ებიც ერთად სისტემის კვადრუპოლურ მომენტს შეადგენენ. კ. მეორე რიგის *მულტიპოლია*.

ლიტ.: Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Теория поля, 5 изд., М., 1967 (Теоретическая физика, т. 2, § 41).

კვადრუპოლური გამოსხივება, ელექტრომაგნიტური ტალღების გამოსხივება, რ-იც განპირობებულია გამომსხივებელი სისტემის კვადრუპოლური მომენტის ცვლილებით დროის მიხედვით.

კვაზარები [ინგლ. quasar (შემოკლ. < quasistellar radiosource)], კვაზივარსკვლავური ობიექტები, კვაზივარსკვლავები, ზევარსკვლავები, ცის სხეულები, რ-ებიც ოპტიკურად ვარსკვლავებს ჰგვანან, ხოლო სპექტრში ხაზების დიდი *წითელი წანაცვლება* აქვთ — მეტი ვიდრე გალაქტიკებს (ცნობილ კვაზართა წითელი წანაცვლება 0,17 — 3,53 ფარგლებშია). მათი სპექტრი გაზოვან ნისლეულთა სპექტრის მსგავსია — შეიცავს გამოსხივების განიერ ხაზებს. თავდაპირველად ისეთი კ. აღმოაჩინეს, რ-თაც დიდი რადიოგამოსხივება აქვთ. პირველად ძლიერი რადიოწყარო ვარსკვლავის მსგავს ობიექტთან 1960 გააიგივეს, ხოლო 1963, როცა ამერ. ასტრონ. მ. შმიდტმა ამ ობიექტთა წანაცვლებული სპექტრი გაშიფრა, ისინი კოსმ. ობიექტთა ცალკე კლასად გამოყვეს. შემდგომში აღმოაჩინეს სუსტი რადიოგამოსხივების მქონე კ., რ-თა რიცხვი კ-თა საერთო რაოდენობის 99%-მდეა; მათ კვაზიგალაქტიკებს (კვაზაგებს), ზოგჯერ კი ცისფერ ვარსკვლავისმსგავს ობიექტებს უწოდებენ.

კ-თა სპექტრში გამოსხივების ხაზების სიგანე 30000°C ტემპ-რას შეესაბამება. შეიმჩნევა ძლიერი ულტრაიისფერი, აგრეთვე ჭარბი ინფრაწითელი გამოსხივება, იშვიათად—შთანთქმის ხაზებიც, რ-თა წითელი წანაცვლება არ ემთხვევა გამოსხივების ხაზებისას. ზოგი კ-ის სპექტრში წანაცვლებათა რამდენიმე სისტემა გვაქვს.

კ-თა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა მათი ბრწყინვალების ვარიაციები (მაქს. ცვლილება — 25-ჯერ). ვარიაციის უმცირესი პერიოდი $\tau \approx 1$ *სთ*, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კ-თა ხაზოვანი ზომა 10^9 *კმ* არ აღემატება (ცვლადი გამოსხივების წყაროს ზომა არ აღემატება $c\tau$, სადაც c სინათლის სიჩქარეა).

კ. ხშირად ორმაგ წყაროს წარმოადგენენ. მათი გამოსხივების მექანიზმი სინქროტრონულია, ზოგ შემთხვევაში პლაზმური რხევებითაა განპირობებული.

თუ წითელ წანაცვლებას კ-თა მოძრაობას დავუკავშირებთ (სამყაროს კოსმოლოგიური გაფართოება), კ. სამყაროს ყველაზე შორ ობიექტებად ჩაითვლება (მანძილები 10^{10} *პს*-მდე); თითოეულის ბრწყინვალება 1000-ჯერ მეტია გიგანტური გალაქტიკების ბრწყინვალებაზე. კ-თა მასა $\sim 10^8$ მზის მასას ეტოლება და მათი ბუნება შეიძლება დავუკავშიროთ მაგნ. ტურბულენციით ან ბრუნვით შეჩერებულ გაზოვანი მასის კოლაპსს, მაშასადამე, ისინი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ 10^9 *კმ* რადიუსიან ზემასიურ ვარსკვლავებად, რ-ებიც შესაძლოა გალაქტიკების ბირთვების ევოლუციის გარკვეულ სტადიას უკავშირდებოდნენ.

მეორე ჰიპოთეზის მიხედვით, კ. ჩვენი გალაქტიკის ბირთვიდან ამოტყორცნილი ~ 5 მზის მასის მქონე სხეულებია, რ-ებიც 60—600 *კპს* მანძილზე მდებარეობენ. მესამე ჰიპოთეზის მიხედვით, კ. არის 10^{13}—10^{14} *კმ* ზომისა და 10^9—10^{10} მზის მასის მქონე სხეულები, რ-თა წითელი წანაცვლება გრავიტაციული ხასიათისაა. ამ ჰიპოთეზათა პოზიციები თანდათან სუსტდება.

ლიტ.: საბაშვილი შ., სამყაროს საინტერესო ობიექტები, თბ., 1976; Бербидж Дж., Бербидж М., Квазары, пер. с англ., М., 1969.

კვაზი... (ლათ. quasi — თითქოს, ვითომცდა), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს მოჩვენებითს, არანამდვილს, მაგ., კვაზიმეცნიერული, კვაზირევოლუციური.

კვაზიდრეკადი ძალა, m მატერიალურ წერტილზე მოქმედი ცვალებადი F ძალა, რ-იც წონასწორობის O მდებარეობიდან წერტილის r წანაცვლების პროპორციულია და მიმართულებით მისი საწინააღმდეგოა $F=-kr$, სადაც k მუდმივი კოეფიციენტია. კ. ძ-ა, მაგ., დრეკადი სხეულების მცირე დეფორმაციების დროს აღძრული ძალა (აქედანაა სახელწ. „კ. ძ."), მათ. საქანის მცირე გადახრების დროს მასზე მოქმედი სიმძიმის ძალის მხები მდგენელი და ა. შ.; კ. ძ. მიისწრაფვის დააბრუნოს მატერ. წერტილი წონასწორობის მდებარეობაში; როცა სხვა ძალები არ არსებობს, იგი იწვევს ამ წერტილის *ჰარმონიულ რხევას*.



კვადრუპოლში დიპოლების განლაგების მაგალითები. კვადრუპოლური მომენტი აბსოლუტური სიდიდით ტოლია 2 ql r, სადაც q არის მუხტი, l—დიპოლების ზომა, r—მანძილი დიპოლების ცენტრებს შორის.

ს. კვაზიმოდო.

კვაზიიმპულსი (*კვაზი... და იმპულსი*), ვექტორული სიდიდე, რ-იც ახასიათებს *კვაზინაწილაკების* (მაგ., კრისტ. მესრის პერიოდულ ველში მოძრავი ელექტრონის) მდგომარეობას.

კვაზიმოდო (Quasimodo) სალვატორე (20. VIII. 1901, სირაკუზა, — 14. VI. 1968, ნეაპოლი), იტალიელი პოეტი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1959); მშვიდობის საერთაშ. საბჭოს წევრი (1950). პირველი ლექსები გააერთიანა კრებულში „წყალი და მიწა" (1930); მასში *ჰერმეტიზმის* პოეზიის განწყობილებანი ბატონობს. კრებულში „ჩაძირული ჰობოი" (1930—32) კ-მ გამოიყენა სიცილიური მითები და ლეგენდები, გააცოცხლა ბავშვობის მოგონებები და თავისებური სიცილიური რიტმები. კრებულებს „ერატო და აპოლიონი" (1936) და „ლექსები" (1938) ახასიათებს განსაკუთრებით დახვეწილი ბგერითი მხარე და სიტყვა, ნათელი სულიერი განწყობილებანი. კ-ს პოეზიის შემდგომი ევოლუცია განსაზღვრა ხალხთან სიახლოვემ, ცხოვრების ზედმიწევნითმა ცოდნამ. წინაალმდეგობის მოძრაობისა და ომის შემდგომ წლებში კ-ს პოეზიაში გაჩნდა დანტესეული „ჯოჯოხეთის" სახეები და მოტივები; კრებულში „დღითიდღე" (1947) თავმოყრილია ანტიფაშისტური ლექსები. ღრმა პატრიოტიზმით გამოირჩევა კრებ. „ცხოვრება სიზმარი არ არის" (1949), „ყალბი და ჭეშმარიტი სიმწვანე" (1954), „შეუდარებელი მიწა" (1958). უკანასკნელ წიგნში „გაცემა და ქონა" (1966) შეიმჩნევა სამყაროს რეალისტური ხედვისა და სიმბოლიკის თანაარსებობა. კ-ს ეკუთვნის აგრეთვე მოკლე ლირ. პიესები და თარგმანები.

თხზ.: Tutte le poesie, Verona, 1961; Моя страна — Италия, М., 1961.

ლიტ.: Голенищев-Кутузов И., Романские литературы, М., 1975.

კვაზინაწილაკები (*კვაზი... და ნაწილაკი*), ნივთიერების კონდენსირებული მდგომარეობის თეორიული აღწერის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნება. თანამედროვე კვანტური თეორიის თანახმად, დაბალი ტემპ-რის პირობებში მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების თბური მოძრაობა შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ელემენტარული აგზნებების, ანუ კ-ის ერთობლიობა. მაკროსკოპული სხეულის ε ენერგია ჩაიწერება შემდეგი სახით: $\varepsilon=\varepsilon_0+\sum_i \varepsilon_i n_i$, სადაც ε_0 არის ტემპ-რის აბსოლ. ნულის შესაბამისი ძირითადი მდგომარეობის ენერგია; ε_i —ენერგია i-ური ტიპის ელემენტარული აგზნებისა, ხოლო n_i— შესატყვისი კ-ის რიცხვი. კ. ხასიათდება $\boldsymbol{p}$ კვაზიმპულსით, რ-იც ჩვეულებრივი ნაწილაკის იმპულსის როლს ასრულებს. კ-ის ენერგია დამოკიდებულია კვაზიიმპულსზე: $\varepsilon_i=\varepsilon_i(\boldsymbol{p})$, მაგრამ ეს დამოკიდებულება არ არის ისეთი მარტივი ხასიათისა, როგორიც არის იგი თავისუფალი ნაწილაკების შემთხვევაში. ჩვეულებრივი ნაწილაკებისაგან განსხვავებით კ-ს შეუძლიათ გაჩენა და გაქრობა. ასე რომ, მათი რიცხვი მუდმივი არ არის და ტემპ-რის შემცირებასთან ერთად მცირდება. კ. ხასიათდება აგრეთვე საკუთარი მექან. მომენტით (სპინით), რ-ის სიდიდის მიხედვით, კ-ის ერთობლიობა ემორჩილება ბოზე-აინშტაინის ან ფერმი-დირაკის სტატისტიკას.

კ-ის ცნება გამოსადეგია მხოლოდ საკმაოდ დაბალ ტემპ-რაზე, როდესაც სხეული ახლოსაა თავის ძირითად მდგომარეობასთან. ამ პირობებში კ-ის ერთობლიობის თვისებები ემსგავსება იდეალური აირის თვისებას. ტემპ-რის ზრდასთან ერთად იზრდება კ-ის რიცხვი, შესაბამისად იზრდება მათი ურთიერთდაჯახების ალბათობა და მცირდება თავისუფალი განარბენის დრო. განუსაზღვრელობის კვანტურ-მექან. თანაფარდობის თანახმად ეს იწვევს კ-ის ენერგიის სიდიდის განუსაზღვრელობის ხარისხის გაზრდას და ბოლოს და ბოლოს თვით კ-ის ცნება კარგავს აზრს.

კ-ის სახესხვაობათა რიცხვი საკმაოდ დიდია, ვინაიდან მათი ბუნება დამოკიდებულია მაკროსკოპული სხეულის ატომურ სტრუქტურასა და ნაწილაკთა შორის ურთიერთქმედების ხასიათზე. ამის გამო ერთსა და იმავე გარემოში შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ტიპის კ-ის ერთობლიობა არსებობდეს. კრისტალებში ატომების მიერ წონასწორული მდებარეობის მახლობლობაში წარმოქმნილი მცირე რხევები ტალღისებურად ვრცელდება გარემოში. შესაბამისი ელემენტარული აგზნებების ბოზონურ კ-ს *ფონონებს* უწოდებენ. დაბალ ტემპ-რაზე ფონონების საშ. რიცხვი T^3 პროპორციულია, რაც არაგამტარი მყარი სხეულების დაბალტემპ-რულ სითბურ ხასიათს განაპირობებს. ფერო- და ანტიფერომაგნეტიკებში ტემპ-რის აბსოლ. ნულზე ატომთა სპინები იდეალურად მოწესრიგებულ მდგომარეობაშია. სპინების სისტემის აგზნებას შეესაბამება გადახრა ამ მოწესრიგებული კონფიგურაციიდან, რაც სპინური ტალღის სახით ვრცელდება. ამ ტიპის ელემენტარული აგზნების შესატყვის კ-ს *მაგნონები* ეწოდება. ლითონებში გამტარობის ელექტრონები ურთიერთქმედებენ კრისტ. მესერთან და ერთმანეთთან და ქმნიან რთული დისპერსიის კანონის (ე. ი. ენერგიის კვაზიიმპულსებზე დამოკიდებულების კანონის) მქონე კ-ის ერთობლიობას, რ-იც ფერმი-დირაკის სტატისტიკას ემორჩილება. კ-ის ენაზე აიწერება აგრეთვე თხევადი ^{3}He და ^{4}He დაბალტემპ-რული თვისებები.

ლიტ.: Займан Дж., Принципы теории твёрдого тела, пер. с англ., 2 изд.,М., 1974; Лифшиц И. М., Квазичастицы в современной физике, კრ.: В глубь атома, М., 1964.

კვაზიოპტიკა (*კვაზი... და ოპტიკა*), ფიზიკის დარგი, რ-იც შეისწავლის იმ ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებას, რ-თა ტალღის სიგრძე $\lambda < 1-2$ *მმ*-ზე (*სუბმილიმეტრული ტალღები* და მისი მომიჯნავე ოპტ. დიაპაზონი), იმ პირობებში, როცა ტალღების გავრცელება ემორჩილება გეომ. ოპტ. კანონებს, ამავე დროს არსებით როლს ასრულებს დიფრაქციული მოვლენები.

1—2 *მმ*-ზე მოკლე ტალღებისათვის მოცულობითი რეზონატორები და λ ტალღის სიგრძის რიგის ტალღასატარები, რ-ებიც სანტიმეტრიანი ტალღებისათვის გამოიყენება, პრაქტიკულად გამოუსადეგარია. ამ ტალღის სიგრძეებზე ომური დანაკარგი იმდენად დიდია, რომ ტალღა თითქმის მთლიანად მიიღევა ტალღასატარებში წყაროდან $\sim 10-20$ *სმ* მანძილზე, ხოლო რეზონატორის ვარგისობა მცირეა. ამასთან დაკავშირებით შექმნეს ღია რეზონატორები და ლინზიანი და სარკული კვაზიოპტ. ხაზები.

კვაზისტატიკური პროცესი (*კვაზი... და* ბერძნ. statikos — შემჩერებელი; რაც წონასწორობას ეხება), წონასწორული პროცესი, თერმოდინამიკური პროცესი, რ-ის დროსაც სისტემა გაივლის წონასწორულ მდგომარეობთა უწყვეტ რიგს (იხ. *თერმოდინამიკური წონასწორობა*). მკაცრად რომ ვთქვათ, კ. პ. უნდა სრულდებოდეს უსასრულოდ ნელა. რეალური პროცესი შეიძლება პრაქტიკულად კ. პ-ად ჩავთვალოთ, თუ სისტემის პარამეტრთა მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება დროის იმ შუალედში, რ-იც მნიშვნელოვნად აღემატება სისტემის რელაქსაციის დროს.

კვაზისტაციონარული დენი, ცვლადი დენი, რ-ისთვისაც სრულდება კვაზისტაციონარულობის პირობა (იხ. *კვაზისტაციონარული პროცესი*). ეს პირობა სრულდება მაშინ, როდესაც რხევისტალღის სიგრძე ბევრად აღემატება წრედის ხაზოვან ზომებს. მაგ., სამრეწველო დენი ($\nu=50$ *ჰც*) შეიძლება ჩაითვალოს კ. დ-ად, ვინაიდან $\lambda \approx 6000$ *კმ* (გამონაკლისია შორეული გადაცემის ხაზი, რ-ის გასწვრივ კვაზისტაციონარულობის პირობა არ სრულდება).

კვაზისტაციონარული პროცესი, პროცესი, რ-იც შემოსაზღვრულ სისტემაში მიმდინარეობს და მასში ისე სწრაფად ვრცელდება, რომ ამ პროცესის გავრცელების დროის განმავლობაში სისტემის ფარგლებში მისი მდგომარეობა ვერ ასწრებს შეცვლას. მაგ., როცა ჩაკეტილი წრედის რომელიმე უბანზე მოქმედებს ცვლადი გარეშე ემძ, წრედის ყველაზე მეტად დაშორებულ წერტილებამდე ელექტრომაგნ. ველის გავრცელების დრო იმდენად მცირეა, რომ ემძ-ის სიდიდე ვერ ასწრებს რამდენადმე მნიშვნელოვან ცვლილებას. ამ შემთხვევაში ძაბვისა და დენის ცვლილება წრედში შეიძლება განვიხილოთ როგორც კ. პ. ასეთ პირობებში წრედში მოძრავი ელექტრული მუხტების (რ-თა განაწილება და სიჩქარე დროის მიხედვით იცვლება) მიერ შექმნილი ცვლადი ელექტრული და მაგნ. ველები დროის ყოველ მომენტში აღმოჩნდება ისეთივე, როგორიც იქნებოდა სტაციონარული ელექტრული და მაგნ. ველები, შექმნილი სტაციონარული მუხტებითა და დენებით, რ-თა განაწილება და სიჩქარე დაემთხვევა დროის მოცემულ მომენტში მუხტების განაწილებასა და სიჩქარეებს.

კვაისა, დაბა (1950-იდან) სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში, რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის ხეობაში (ისტ. პროვ. კუდარო). სადაბო საბჭო. ზ. დ. 1400 *მ*, ჯავიდან 45 *კმ*. ტყვიისა და თუთიის მადნის მოპოვება. გამამდიდრებელი ფ-კა, სამკერვალო ფ-კა. საშ. სკოლა (ინტერნატით) და საღამოს (ცვლიანი) სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტსახლი, 2 ბ-კა, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კ-ში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლის—კვაისაჯვრის, ადრინდ. ქრისტ. ხანის დარბაზული ეკლესიის — ნანგრევები. ძეგლი მოპირკეთებული ყოფილა კარგად გათლილი ქვის კვადრებით, სამხრ-ით მდიდრულად მორთული სამმალიანი შესასვლელი ჰქონია. ნანგრევებში ნაპოვნია ჩუქურთმებითა და სკულპტურული დეკორით შემკული ქვის ფილები (უმეტესობა დღეისათვის განადგურებულია), რ-ებზეც ამოკვეთილია ეკლესიის მოდელი.

კვაისის ტყვია-თუთიის საბადო, მდებარეობს სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ში. განლაგებულია წედის-ახსარჯინის ანტიკლინის ჩრდ. ფრთისა და თაღის გამკვეთ რღვევებში. მადნეული სხეულები (ძარღვები და მეტასომატური ბუდობები) რთული ფორმისაა. მადანი მასიური, ბრექჩიული და ზოლებრივი ტიპისაა. მინერ. შედგენილობა: სფალერიტი, გალენიტი, პირიტი, მარკაზიტი, კალციტი, ქალცედონი, ბარიტი და სხვ. საბადო ჰიდროთერმულია, წარმოქმნილია ზედაპირთან ახლოს, დაბალი ტემპ-რისა და მცირე წნევის პირობებში. გამადნების ასაკს კაინოზოურად ვარაუდობენ.

კვაკერები (ინგლ. quakers, სიტყვასიტყვით — მოკანკალენი), პროტესტანტული სექტის „მეგობართა საზოგადოების" წევრები. საზ-ბა დაარსა დაახლ. 1650 ინგლ. ხელოსანმა ჯორჯ ფოქსმა (1624—91). კ. გამოდიოდნენ ანგლიკანური ეკლესიის წინააღმდეგ, უარყოფდნენ სამღვდელოებას, საეკლ. საიდუმლოს (მათი მოძღვრებით, ადამიანს შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდეს ღმერთს), ქადაგებდნენ პაციფიზმს, ქველმოქმედებას. ანგლიკანური ეკლესიისა და ინგლ. მთავრობის მიერ დევნილი კ-ის მრავალი თემი XVII ს. 60-იან წლებში ჩრდ. ამერიკაში გადავიდა. 1689 ინგლ. და ამერ. კ-ის მდგომარეობა ლეგალიზებულ იქნა „შემწყნარებლობის აქტით". თუ ადრე კ-ის სოც. შემადგენლობა წვრილბურჟუაზიული იყო, მოგვიანებით მათ შორის მსხვი-

ლი კაპიტალის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. XX ს. 70-იანი წწ. დასაწყისში კ-ის თემები 200 ათ. წევრს აერთიანებდა (უმთავრესად აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და აღმ. აფრ. ქვეყნებში).

კვაკიუტლი, კანადაში, პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში მცხოვრები ინდიელი ტომი. რაოდ. დაახლ. 4,5 ათ. კაცი (1967, შეფასება). ლაპარაკობენ კვაკიუტლის (ვაკაშური ენების ჯგუფი) და ინგლ. ენებზე. რაოდ. ევროპელთა მოსვლის დროისათვის (XVIII ს.) დაახლ. 25 ათ. კაცი. მისდევდნენ ძირითადად თევზჭერას. ისახებოდა კერძო მესაკუთრული ურთიერთობანი, არსებობდა პატრიარქალური მემკვიდრეობითი მონობა. შექმნეს თავისებური კულტურა და ხელოვნება. ამჟამად ცხოვრობენ რეზერვაციებში. რელიგია-პროტესტანტობა. ინარჩუნებენ აგრეთვე ძვ. რწმენებსა და კულტებს.

კვალი, ორნატი, ნიადაგის დასამუშავებელი ან სხვა იარაღით შექმნილი თხრილი. ჭარბტენიან ზონაში კ-ს იყენებენ მინდვრიდან წყლის გასაყვანად, ხოლო სარწყავ მიწათმოქმედებაში — მოსარწყავად. კ-ებზე თესვა თესლსა და აღმონაცენს იცავს ახვეწისაგან.

კვალი კრიმინალისტიკაში, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოწვეული ყოველგვარი მატერიალური ცვლილება გარესამყაროში. კ. ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას და დამნაშავე პირთა აღმოჩენას (მაგ., სისხლის ლაქები, თითის ანაბეჭდები, ნაფეხურები და სხვ.). იხ. აგრეთვე *იდენტიფიკაცია, ტრასოლოგია.*

„კვალი“, ქართული ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნულ-ლიბერალური მიმართულებისა; გამოდიოდა 1893—1904 თბილისში. 1893—96 გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა „მესამე დასის“ დამწყებ ლიტერატორებს; 1897-იდან გადავიდა „მესამე დასის“ უმრავლესობის ხელში, ხოლო ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციებად გაყოფის შემდეგ ქართვ. მენშევიკების ორგანო გახდა. ქვეყნდებოდა სტატიები საქართვ. ეკონ., ისტ., ეთნოგრ., გეოგრ. და მეცნ. სხვადასხვა დარგებიდან; იბეჭდებოდა მხატვრული ლიტ-რა, პუბლიც. და კრიტ. წერილები, ბიბლიოგრაფია. გაზეთის 1895 ზოგიერთ ნომერში ნახსენებია მეცნ. კომუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომები.

რედ.-გამომცემლები — ა. თუმანიშვილი-წერეთლისა (ფაქტობრივი რედ.-გამომცემელი—გ. წერეთელი), ნ. ალექსი-მესხიშვილი. დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

ლიტ.: კარიჭაშვილი დ., ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, «წიგნის მეგობარი», 1925, № 2. მგალობლიშვილი ქ., ქართული გაზეთების ბიბლიოგრაფია, «პროლეტარული რევოლუცია», 1943, № 3; ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 3, თბ., 1944.

ი. ლორთქიფანიძე.

კვალიაშვილი ალექსანდრე არჩილის ძე [25. IV (7. V). 1895, სოფ. მოხისი, ახლანდ. ქარელის რ-ნი, — 6. II. 1974, თბილისი], ქართველი საბჭ. რენტგენოლოგი, რენტგენოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1947), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1920 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1938—73 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის რენტგენოლოგიის კათედრას. კ. შეისწავლიდა შინაგანი ორგანოებისა და ძვლოვანი სისტემის *რენტგენოდიაგნოსტიკის* საკითხებს. შეადგინა რენტგენოდიაგნოსტიკის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე (1963). იყო საქართვ. რენტგენოლოგთა და რადიოლოგთა სამეცნ. საზ-ბისა და რენტგენოლოგთა საკავშ. სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

თხზ.: ფიბროზული ოსტეო-დისტროფიის საკითხისათვის, «ცენტრალური კლინიკური ინ-ტის შრომები», 1939, № 1.

კვალიაშვილი მიხეილ გრიგოლის ძე [28. XII. 1898 (9. I. 1899)—29. IV. 1974, თბილისი], ქართველი საბჭ. საოპერო რეჟისორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1943). სკკპ წევრი 1947-იდან. 1919—24 სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (ვოკალის განხრით). 1925—26 მუშაობდა კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში. 1926-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი. დადგმები: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, „მაზეპა“, „პიკის ქალი“, ბოროდინის „თავადი იგორი“, ნაპრავნიკის „დუბროვსკი“, როსინის „სევილიელი დალაქი“, სუხონის „მორევი“ (სსრკ-ში პირველად), პუჩინის „ბოჰემა“ და სხვ.

კვალითი, ზესტაფონის რ-ნის სოფლების *ზედა კვალითის, ქვედა კვალითისა* და *შუა კვალითის* ძვ. სახელწოდება.

კვალიფიკაცია (ლათ. qualis — როგორი ხარისხისა და facio — ვაკეთებ), 1. მუშაკის პროფმომზადების ხარისხი და სახეობა; აისახება ტარიფიკაციაში (მუშაკისათვის სატარიფო თანრიგის მინიჭება მისი კ-ის მიხედვით). სსრკ-ში კ-ის მაჩვენებელია თანრიგი, კატეგორია ან დიპლომი, სამეცნ. წოდება ან ხარისხი; არსებობს მუშათა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. 2. სამუშაოს გარკვეული სახის დახასიათება, რ-საც ადგენენ ამ სამუშაოს სირთულის, სიზუსტისა და მასზე პასუხისმგებლობის მიხედვით. სამუშაოს კ-ის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს სატარიფო განაკვეთსა და ხელფასის დადგენის დროს. 3. საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი თვისების, თავისებურების მიხედვით; შეფასება, დახასიათება, რომელიმე კატეგორიის ან ჯგუფისათვის მიკუთვნება. მაგ., დანაშაულის კ.

კვალიფიკაცია დანაშაულისა, დადგენა იმისა, რომ ჩადენილი ქმედობის ნიშნები ზუსტად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რაც სათანადო საპროცესო აქტში აისახება. კ. დ. ამა თუ იმ ქმედობის დანაშაულებრივად აღიარების, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისა და სხვა სამართლებრივი შედეგის საფუძველია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს კანონიერების დაცვისათვის მართლმსაჯულების აღსრულების დროს. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია იწვევს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას.

კვალიფიციური უმრავლესობა, ხმების 2/3, 3/4 და ა. შ., რ-იც უპირისპირდება უბრალო უმრავლესობას (50%+1). კ. უ. ჩვეულებრივ საჭიროა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მისაღებად, მაგ., კონსტ. კანონებში ცვლილებათა შესატანად. სსრკ კონსტ. შეცვლა ხდება სსრკ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რ-საც მიიღებს მისი თითოეული პალატის დეპუტატთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა 2/3 (სსრკ კონსტიტუცია, მ. 174). კ. უ. (ხმების 2/3) საჭიროა აგრეთვე სამეცნ. ხარისხის მინიჭების დროს.

კვალიფიციური შრომა, წინასწარ საგანგებოდ მომზადებული გარკვეული ჩვევების, უნარისა და ცოდნის მქონე მუშაკის შრომა, რ-იც აუცილებელია განსაზღვრული სახის სამუშაოს შესასრულებლად. არაკვალიფიციური (მარტივი) შრომისაგან განსხვავებით კ. შ. რთული შრომაა. მისი ერთი საათი მარტივი შრომის რამდენიმე საათის ეკვივალენტურია (იხ. *შრომის რედუქცია*). ამის გამო კ. შ. უფრო მეტად ანაზღაურდება, ვიდრე არაკვალიფიციური შრომა.

ჯ. კახნიაშვილი.

კვალსათბური, ნაგებობა ბოსტნეული და ყვავილოვანი მცენარის ჩითილის გამოსაყვანად, აგრეთვე ბოსტნეულის მოსაყვანად და თესლის მისაღებად. კ-ს უმთავრესად ისეთ ქვეყნებში იყენებენ, რ-ებიც ჩ. გ. 40° ზემოთ არიან მოქცეული. კ. 2 ტიპისაა: ერთფერდა და ორფერდა. ორივე ტიპის კ. ან ჩაღრმავებულია, ან მიწისზედა. მიწისზედა კ. თავის მხრივ შეიძლება იყოს სტაციონარული და გადასატანი. კ-ში სითბოს წყაროდ იყენებენ მზეს, ბიოლ. (*ბიოსათბობი*) და ტექ. სითბოს (წყალი, ორთქლი, ელექტროდენი). ჰაერის ტემპ-რის დაწევისას კ-ს ხურავენ შემინული საკვალსათბურო ჩარჩოებით, აგრეთვე გამჭვირვალე აფსკით.

ერთფერდა ჩაღრმავებული კ. (იხ. სურ.) წარმოადგენს ქვაბულს, რ-იც გადახურულია საკვალსათბურო ჩარჩოებით. ამ ტიპის კ-ში უფრო ბიოსათბობს იყენებენ, ტექნიკურს კი ნაკლებად. კ-ს აქვს რკინაბეტონის ან ხის შემკრავები, რ-თა საშუალებითაც ჩარჩოები მჭიდროდ და მკვრივად ლაგდება. საადრეო კ-ს იყენებენ თებ. ბოლოდან ან მარტის დასაწყისიდან (სსრკ ევრ. ნაწილის ცენტრ. რ-ნებში), საშუალოს — მარტის II ნახევრიდან, საგვიანოს — აპრ. დასაწყისიდან. სტანდ. საკვალსათბურო ჩარჩოს ზომებია 160×106 *სმ.*

ერთფერდა მიწისზედა გადასატან კ-ს ქვაბულს არ უკეთებენ (ეწყობა 4—6 ჩარჩოზე). თოვლისაგან გაწმენდილ მიწაზე ალაგებენ ბუნებრივად თბილ ბიოსათბობს (საშ. კ-ზე 50—60 *სმ* სისქის, საგვიანოზე 30—40 *სმ*) და მასზე აყენებენ შემკრავებს. ორფერდა კ. ფართოდ ვერ გავრცელდა, ვინაიდან ძნელია ორი მხრიდან ჩარჩოების მჭიდროდ დალაგება.

კ-ის მოსაწყობად ნიადაგს გულდასმით აშანდაკებენ და თანაბარ კვარტალებად ყოფენ. თითოეულ კვარტალში თავსდება 30 სტანდ. კ. (600 ჩარჩო). კვარტალის სიგრძეა 72 *მ*, სიგანე 21,2 *მ* (20-ჩარჩოიანი კ-ის სიგრძის ტოლია). ტორსის გზები სამხრ-იდან ჩრდ-კენ უნდა იყოს მიმართული; მათ იყენებენ ნიადაგისა და ბიოსათბობის შესანახად (სიგანე 10—15 *მ*). კვარტალებს შორის კეთდება კ-ის პარალელური გზები, რ-თა სიგანეა 5 *მ*. ამ წესით კ-ის განლაგებისას 1 *ჰა*-ზე თავსდება 2500 ჩარჩო.

კ-თვის იყენებენ სხვადასხვა ნიადაგს, რ-საც ყრიან ბიოსათბობზე ან სხვა გამთბობ საშუალებებზე.

ი. გრიგოლია.

კვამლი, ბოლი, აირადი *დისპერსიული სისტემა* მყარი დისპერსიული ფაზით, ე. ი. ჰაერში ან სხვა აირში შეწონილი მცირე ზომის მყარი ნაწილაკების ერთობლიობა. კ. *აეროზოლების* კერძო შემთხვევაა, იგი საწარმოო დანადგართა მოქმედების არასასურველი პროდუქტია. მისი მნიშვნელოვანი თვისებაა სინათლის განბნევა, რის გამოც ის არაგამჭვირვალეა. კ-ის ნაწილაკების ზომის რიგი 10^{-5} *სმ* უდრის. თუ კ-ში მავნე ნივთიერებებია (მაგ., SO_2), ის განსაკუთრებით საზიანოა. ამიტომ სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წ. 29 მაისის და-



ჩაღრმავებული ერთფერდიანი ტიპობრივი კვალსათბური (ზომები მეტრობით); ზემოთ—კვალსათბურის განივი ჭრილი ხის შემკრავით: 1 — ნაკელი; 2 — საკვები ნიადაგი; 3 — სამხრეთის შემკრავი; 4—ჩრდილოეთის შემკრავი; 5—საკვალსათბურე ჩარჩო. ქვემოთ—კვალსათბურის განივი ჭრილი რკინაბეტონის შემკრავით: 1 — სამხრეთის შემკრავი; 2—ჩრდილოეთის შემკრავი; 3—ტორსის რკინაბეტონის ფილები; 4—ფილები ბილიკებისათვის; 5—კვალსათბურის ქვაბულის კონტური; 6—ნაყარი ნიადაგის დონე.

ა. კვანტალიანი.



კვანტური გიროსკოპი. ლაზერის გიროსკოპის სქემა: 1, 2, 4—გაუმჭვირი სარკეები; 3—ნახევრად გამჭვირვალე სარკე; 5—ფოტოდეტექტორი.

დგენილებით აკრძალულია ისეთი წარმოების მუშაობა, რ-იც სათანადოდ არ წმენდს კ-ს და ატმ. ჰაერს აჭუჭყიანებს.

კვამლსადენი, საკვამლე არხი, სათბობი ღუმლის, ქურის, წყალსათბობი სვეტისა და მისთ. კვამლის აირების სარინი არხი. აგურის შენობებში კ-ს ჩვეულებრივ აკეთებენ შიგა კაპიტ. კედლებში; ხშირად იგი აზბესტცემენტის მილების, კერამ. ან ბეტონის ბლოკებისაგანაა აწყობილი. მისი კვეთი არის მართკუთხა, მრგვალი ან ოვალური. კ. აპყავთ შენობის სახურავზე მაღლა. მის გვერდით რეკომენდებულია ასაწოვი ვენტილაციის არხების მოწყობა.

კვანაშა, სოფელი აფხ. ასსრ გუდაუთის რ-ნში (ჯირხვის სოფსაბჭო), აფხ. ბორცვიან მთისწინეთზე. ზ. დ. 160 *მ*, გუდაუთიდან 20 *კმ*, ზვანდრიფშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. ჯირხვის ვ. ხარაზიას სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა). საშ. და 2 რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კვანგო, კუანგუ (Kwango, Kuango), მდინარე ცენტრალურ აფრიკაში, ანგოლასა და ზაირის რესპუბლიკაში. მდ. კასაის (კონგოს აუზი) უდიდესი მარცხ. შენაკადი. სიგრძე დაახლ. 1200 *კმ*, აუზის ფართ. 263,5 ათ. *კმ*². სათავე აქვს ლუნდის პლატოზე. ქმნის ჭორომებსა და ჩანჩქერებს. წყალდიდობა იცის სექტ.-ოქტიდან აპრ. ჩათვლით. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქვემო დინებაში 2,7 *ათ მ*³/*წმ*. სანაოსნოა ქვემოთში და ნაწილობრივ შუაწელში. თევზჭერა.

კვანზა, კუანზა (Kwanza, Cuanza), მდინარე ანგოლაში. სიგრძე 960 *კმ*, აუზის ფართ. 147,7 ათ. *კმ*². სათავე აქვს ბიეს ზეგანზე. მიედინება ღრმა ხეობაში. ქმნის ჭორომებსა და ჩანჩქერებს. ერთვის ატლანტის ოკეანეს. ქვემოთში სანაოსნოა. კ-ზეა ჰესი.

კვანტალიანი აკაკი ლუკას ძე [14 (27). XII. 1907, სამტრედია, — 27. VII. 1967 თბილისი], ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1957). 1925-იდან სწავლობდა თბილ. უნ-ტის ფილოლ. ფაკტზე, ამავე დროს მონაწილეობდა თბილ. მუშათა თეატრის წარმოდგენებში. 1928-იდან იყო მარჯანიშვილის სახ. თეატრის წამყვანი მსახიობი. წარმატებით ასრულებდა მკვეთრად სახასიათო როლებს. მ. შ. აღსანიშნავია ქუჩარა (კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), კორნელი (კალაძის „როგორ?"), ტიტიკო (გაბესკირიას „გაზაფხულის დილა"), ხახული (კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), ლეპორელო (პუშკინის „ქვის სტუმარი"), ნიკიფორე (ბარათაშვილის „მარინე"), სამსონ ნებიერიძე (მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", სსრკ სახელმწ. პრემია, 1952), ქერუბინო (ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება"), ალფრედ დულიტლი („შოუს „პიგმალიონი"), ზემლიანიკა (გოგოლის „რევიზორი"), ლოპიანე (კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა") და სხვ. გადაიღეს ფილმებში: „უკანასკნელი ჯვაროსნები", „დარიკო", „ქალი ხიდობნიდან", „აბეზარა", „მაგდანას ლურჯა" და სხვ. ჩამოაყალიბა ქართ. ესტრადის თეატრი, წარმატებით მოღვაწეობდა საესტრადო ჟანრში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ძიგუა ვ., აკაკი (კაკო) კვანტალიანი, თბ., 1972. *მ. ცხომარია.*

კვანტორი (<ლათ. quantum—რამდენი), აზროვნების ლოგიკური საშუალება, ლოგიკური მუდმივი; მისი გამოყენებით აიგება დებულებები, რ-ებშიც გამოითქმება რაიმე აზრი საგანთა ერთობლიობის ყველა ან ზოგიერთი წევრის შესახებ. ამის მიხედვით განასხვავებენ ზოგადობის (უნივერსალურ) და არსებობის (ეგზისტენციალურ) კ-ებს. პირველი გამოითქმება ფრაზებით „ყოველი... -სთვის", „ნებისმიერი...-სთვის" და აღინიშნება „-" სიმბოლოთი, ხოლო მეორე — ფრაზებით „არსებობს... ისეთი, რომ", „ზოგიერთი...-სთვის" (აღინიშნება "∃-თი"); მრავალწერტილის ადგილას მითითებულია იმ საგანთა ტიპი, რ-ებზეც რაიმეა გამოთქმული აგებულ დებულებაში; მითითება ხდება ცვლადების საშუალებით. კ-ებს შეისწავლიან პროედიკატთა ლოგიკაში. *ლ. მჭედლიშვილი.*

კვანტუნი, ლიაოდუნის ნ.-კ-ის (ჩინეთი) სამხრ.-დას. დაბოლოების — გუანდუნის ნ.-კ-ის — რუსულ და ქართულ ლიტ-რაში ხმარებული სახელწოდება. ფართ. დაახლ. 3,5 ათ. *კმ*². ზედაპირი ბორცვიანია, ნაპირები — ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილი. გაუყინარი ნავსადგურებია დალიანი (დალნი), ლიუშუნი (პორტ-არტური). *კვანტუნის არმიამ* აქედან 1931 განახორციელა მანჯურიის ოკუპაცია. 1945 აგვისტოში სსრკ შეიარაღებულმა ძალებმა კ. გაათავისუფლა იაპ. ოკუპანტებისაგან და გადასცა ჩინეთს.

კვანტუნის არმია, იაპონიის ჯარების დაჯგუფება, რ-იც გამიზნული იყო ჩინეთის, სსრკ და მონლ. სრ წინააღმდეგ აგრესიისათვის. შეიქმნა 1931 ლიაოდუნის ნ.- კ-ზე. კ. ა-ში 1938 დაახლ. 200 ათ. კაცი იყო. 1938 ზაფხულში კ. ა-ის ჯარებმა გადალახეს სსრკ საზღვარი ხასანის ტბასთან; 1939 საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სრ წინააღმდეგ მოაწყო უფრო დიდი პროვოკაცია ხალხინ-გოლთან. ორივე კონფლიქტში კ. ა-მ მარცხი განიცადა. 1941, როცა საბჭ. ხალხს მძიმე ბრძოლა ჰქონდა გერმ. ფაშისტებთან, კ. ა. ხელსაყრელ მომენტს ელოდა სსრკ-ზე თავდასხმისათვის (იაპ. გეგმა „კანტოკუენი"). შორეულ აღმოსავლეთში საბჭ. შეიარაღებული ძალების კამპანიის დასაწყისში (1945 წ. 9 აგვ.) კ. ა-ის და მასზე დაქვემდებარებული ჯარების შემადგენლობაში იყო 1 მლნ. 320 ათ. კაცი, 1155 ტანკი, 6260 ქვემეხი, 1900 თვითმფრინავი და 25 ხომალდი. *მანჯურიის ოპერაციაში* (1945) კ. ა-ის განადგურების შემდეგ, იაპონიამ ომის განგრძობის რეალური შესაძლებლობა დაკარგა და 1945 წ. 2 სექტ. ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

კვანტური გენერატორი, ელექტრომაგნიტური ტალღების გენერატორი, რ-შიც იყენებენ იძულებითი გამოსხივების (იხ. *კვანტური ელექტრონიკა*) მოვლენას. ზემაღალი სიხშირის (ზმს) რადიოდიაპაზონის კ. გ-ს, ისევე როგორც ამავე დიაპაზონის კვანტურ მაძლიერებელს, ხშირად მაზერს უწოდებენ. 1955 ერთდროულად სსრკ-სა (ნ. *ბასოვი* და ა. *პროხოროვი*) და აშშ-ში (ჩ. *ტაუნზი*) შექმნეს ზმს-ის პირველი კ. გ., რ-შიც აქტ. გარემოდ ამიაკის მოლეკულების კონას იყენებდნენ, ამიტომ მან მოლეკულური გენერატორის სახელწ. მიიღო. შემდეგში ააგეს ზმს-ის კ. გ., რ-შიც წყალბადის ატომთა კონა გამოიყენეს. ამ კ. გ-ების მნიშვნელოვანი თავისებურებაა სიხშირის გენერაციის მაღალი სტაბილურობა, რ-იც 10^{-13} აღწევს, ამის გამო მათ იყენებენ როგორც სიხშირის კვანტურ სტანდარტებს.

ოპტ. დიაპაზონის კ. გ-ები — *ლაზერები* (ოპტ. კვანტური გენერატორები — ოკგ) შექმნეს 1960. ლაზერები მუშაობს ტალღის სიგრძეთა ფართო დიაპაზონში (ულტრაიისფერიდან სპექტრის სუბმილიმეტრულ არემდე) იმპულსური და უწყვეტი რეჟიმით. არსებობს აგრეთვე კრისტალებსა და მინებზე მომუშავე, აირული, სითხიანი და ნახევრადგამტარული ლაზერები. სხვა სინათლის წყაროებისაგან განსხვავებით, ლაზერები ასხივებს მაღალკოჰერენტულ მონოქრომატულ სინათლის ტალღებს, რ-თა ენერგია კონცენტრირდება ძალიან ვიწრო სივრცითს კუთხეში.

ლიტ. იხ. სტ-თან კვანტური ელექტრონიკა.

კვანტური გიროსკოპი, სხეულის ბრუნვისა და მისი კუთხური სიჩქარის დამდგენი ხელსაწყო, რ-ის მოქმედების პრინციპი ემყარება ელექტრონების, ატომური ბირთვების ან ფოტონების გიროსკოპულ თვისებებს. განასხვავებენ ლაზერის (ოპტ.), ბირთვულსა და ელექტრონულ კ. გ-ებს. ლაზერის (ოპტიკური) გიროსკოპის გადამწოდია რგოლური ლაზერი, რ-იც სინათლის ორ მსრბოლ შემხვედრ ტალღას აგენერირებს. ეს ტალღები სინათლის საერთო არხით მონოქრომატულ შუქკონებად ვრცელდება. რგოლური ლაზერის გენერატორი (ნახ.) შედგება ხისტ ფუძეზე დამონტაჟებული სამი ან მეტი სარკისაგან, რ-თა მეშვეობით შეკრული სისტემა იქმნება. სინათლის ნაწილი ნახევრად გამჭვირვალე სარკეში გადის და ფოტოდეტექტორს ეცემა. რგოლური ლაზერით გენერირებული ტალღის სიგრძეს (მუშა ნივთიერების სპექტრული ხაზის სიგანის ფარგლებში) განსაზღვრავენ პირობით, რ-ის თანახმად მსრბოლი ტალღა რეზონატორის კონტურს შემოუვლის და ამოსავალ წერტილს იმ ფაზით დაუბრუნდება, რ-იც მას დასაწყისში ჰქონდა. ბირთვულ გიროსკოპში იყენებენ ბირთვული პარამაგნეტიზმის თვისებების მქონე ნივთიერებებს (წყალი, ორგ. სითხეები, აირადი ჰელიუმი, ვერცხლისწყლის ორთქლი), რ-თა ატომებს ან მოლეკულებს არააგზნებულ მდგომარეობაში მოძრაობის რაოდენობის მომენტები აქვს, რაც ბირთვების *სპინებით* არის განპირობებული. სპინებთან დაკავშირებულია მათი მაგნ. მომენტები. თუ გარე მაგნ. ველის მეშვეობით ბირთვების მაგნ. მომენტების ორიენტირებას მოვახდენთ და მაორიენტირებელ ველს გამოვრთავთ, სხვა მაგნ. ველის (მაგ., დედამიწის მაგნ. ველის) არარსებობის დროს წარმოქმნილი ჯამური მაგნ. მომენტი ***M*** გარკვეული დროის განმავლობაში სივრცეში შეინარჩუნებს თავის მიმართულებას, მიუხედავად იმისა, შეიცვლება თუ არა გადამწოდის ორიენტაცია. ასეთი სტატიკური კ. გ. საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ გიროსკოპის გადამწოდთან დაკავშირებული სხეულის მდგომარეობის ცვლილება.

დინამიკურ ბირთვულ გიროსკოპში გადამწოდის ჯამური ბირთვული მაგნ. მომენტი (***M***) პრეცესიას განიცდის მუდმივი მაგნ. ველის (***H***) ირგვლივ. ვინაიდან გადამწოდი ***H*** ველთან ერთად Ω კუთხური სიჩქარით ბრუნავს, იცვლება პრეცესიის სიხშირე ***M*** მაგნ. მომენტისა, რ-იც დაახლ. ტოლია ***H***-ზე ვექტორის პროექციისა. ეს ცვლილება აღინიშნება ელექტრული სიგნალის სახით.

ელექტრონული გიროსკოპი ანალოგიურია ბირთვული გიროსკოპისა იმ განსხვავებით, რომ მასში გამოყენებული ნივთიერებების ატომები ან მოლეკულები შეიცავს შეუწყვილებელ ელექტრონებს.

კ. გ-ის ზოგიერთ ტიპს იყენებენ ბრუნვის მაღალმგრძნობიარე ინდიკატორად, ორიენტატორად, გირომეტრად, აგრეთვე გიროკომპასად, გირობუსოლად და სექსტანტად.

კვანტური ელექტროდინამიკა, *ველის კვანტური თეორიის* ნაწილი, რ-იც იკვლევს ელექტრომაგნიტური ველისა და ელექტრულად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკების, პირველ რიგში, ელექტრონების, ურთიერთქმედებას. კ. ე-ის საფუძველია სინათლის კვანტების—ფოტონების — ჰიპოთეზა, რ-ის მიხედვით ელექტრომაგნ. გამოსხივების ველი შედგება ნაწილაკთა თვისებების (ენერგია, იმპულსი, სპინი და ა. შ.) მქონე ელემენტარული ველებისაგან. ელექტრომაგნ. ველის დამუხტულ ნაწილაკთან ურთიერთქმედების აქტი გამოიყურება როგორც ამ უკანასკნელის მიერ გარკვეული ენერგიის მქონე ფოტონის შთანთქმა ან გამოსხივება. ეს ენერგია შეიძლება ბევრად მეტი იყოს დამუხტუ-

ლი ნაწილაკის (ელექტრონის და მისი ანტინაწილაკის — პოზიტრონის) უძრაობის მასაზე, რის შედეგად ასეთი ენერგიის მქონე ფოტონი შესაძლოა გარდაიქმნას ელექტრონ-პოზიტრონის წყვილად.

გამოსხივების ელემენტარული კვანტური თეორია შექმნა პ. *დირაკმა* (1927). ამის საფუძველზე ამოხსნილ იქნა ელექტრონებისა და ელექტრომაგნ. ველის ურთიერთქმედების ძირითადი ამოცანები.

ფოტონების, ელექტრონებისა და პოზიტრონების ურთიერთქმედების თანამიმდევრული თეორია შეიქმნა 1947—49 ჯ. *შვინგერის*, *რ. ფეინმანის*, ს. *ტომონაგას* და სხვათა შრომების შედეგად.

კვანტური ელექტრონიკა, ფიზიკის დარგი, რ-იც შეისწავლის ელექტრომაგნიტური რხევების გაძლიერებისა და გენერაციის მეთოდებს, დაფუძნებულს იძულებითი გამოსხივების ეფექტზე, აგრეთვე კვანტური მაძლიერებლებისა და გენერატორების თვისებებსა და მათს გამოყენებას. სინათლის კვანტური გენერატორების (*ლაზერების*) მიმართ პრაქტ. ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ისინი სხვა წყაროებისაგან განსხვავებით გამოასხივებენ ძალიან ვიწრო მიმართულებისა და დიდი მონოქრომატულობის სინათლის ტალღებს. რადიოტალღების კვანტური გენერატორები სხვა რადიომოწყობილობებისაგან გამოირჩევიან რხევების სიხშირის სტაბილურობით, ხოლო რადიოტალღების *კვანტური მაძლიერებლები*—ხმაურის დაბალი დონით.

კვანტური **ელექტრონიკის** *ფიზიკური* **საფუძვლები.** *კვანტური* მექან. თანახმად, ატომს (მოლეკულას) შეუძლია გადავიდეს ენერგიის ერთი დონიდან მეორეზე, რასაც თან ახლავს სინათლის კვანტის გამოსხივება ან შთანთქმა (იხ. *ატომი*, *კვანტური მექანიკა*), გამოსხივებული ან შთანთქმული ტალღების ν_{ik} სიხშირე განისაზღვრება ბორის პირობით: $h\nu_{ik}=E_i-E_k$ (1), სადაც E_i და E_k არის ენერგეტიკული დონეები, ხოლო h — *პლანკის მუდმივა*. აგზნებულ ნაწილაკებს ენერგიის გამოსხივება შეუძლიათ ორი გზით: სპონტანურად, ანუ თავისთავად, და იძულებით. აგზნებული ნაწილაკები არამდგრადია, ამიტომ თითოეული მათგანისათვის არსებობს სპონტანური გამოსხივების გარკვეული ალბათობა (ნახ. 1, ა). სპონტანური გამოსხივება ქაოსური ხასიათისაა. აგზნებული ნაწილაკები ასხივებენ დროის სხვადასხვა მომენტში, სხვადასხვა მიმართულებით, სიხშირითა და პოლარიზაციით. სპონტანური გამოსხივების ინტენსივობა სიხშირის კუბის პროპორციულია და ამიტომ მკვეთრად ეცემა სინათლის ტალღებიდან რადიოტალღებზე გადასვლისას. გარდა ლაზერულისა, ყველა სინათლის წყაროს გამოსხივების აქტები შემთხვევითია, ამიტომ სპონტანური ხასიათისაა. აგზნებულ ნაწილაკებს ერთი დონიდან მეორეზე გადასვლის დროს შეუძლია გამოასხივოს (ან შთანთქას) ფოტონები არა მხოლოდ სპონტანურად, არამედ გარე გამოსხივების ზემოქმედებითაც, თუ ამ გარე გამოსხივების სიხშირე აკმაყოფილებს (1) პირობას (ნახ.1, ბ, გ). ა. აინშტაინის მიერ ნაწინასწარმეტყველები (1917) იძულებითი გამოსხივების ალბათობა გამომწვევი გამოსხივების ინტენსივობის პროპორციულია და შეიძლება აღემატებოდეს სპონტანური პროცესის ალბათობას. მაშასადამე, იძულებითი გამოსხივების პროცესში მონაწილეობს ორი კვანტი — პირველადი (მაიძულებელი) და მეორეული, რ-საც ასხივებს აგზნებული ატომი. მნიშვნელოვანია, რომ მეორეული კვანტები განურჩეველია პირველადი კვანტებისაგან. მათი სიხშირე, ფაზა, პოლარიზაცია და გამოსხივების მიმართულება ისეთივეა, როგორიც პირველადი კვანტებისა. იძულებითი გამოსხივების ამ თავისებურებაზე პირველად (1927) პ. დირაკმა მიუთითა.

თერმოდინ. წონასწორობაში მყოფ ნივთიერებაზე ელექტრომაგნ. ტალღის მოქმედებისას შეიძლება მოხდეს მხოლოდ ენერგიის შთანთქმა იმის გამო, რომ ენერგიის ქვედა დონე მეტადაა დასახლებული ზედა დონესთან შედარებით. დაცემული ტალღის ინტენსივობა რომ გაძლიერდეს, საჭიროა, ნივთიერების ენერგიის ზედა დონე მეტად იყოს დასახლებული ქვედა დონესთან შედარებით, რაც მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება განხორციელდეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ნივთიერებას აქტიური ეწოდება, ხოლო დონეების ამგვარად დასახლებას — ინვერსიული. თუ ნივთიერებას, რ-იც აქტ. მდგომარეობაშია, ელექტრომაგნ. ტალღა დაეცემა, იძულებით გამოსხივდება იგივური კვანტები და ელექტრომაგნ. ტალღა კოჰერენტულად გაძლიერდება. აქტ. გარემოში იძულებითს გამოსხივებას იყენებენ ელექტრომაგნ. ტალღების გაძლიერებისა (*კვანტური მაძლიერებელი*) და გენერაციისათვის (*კვანტური გენერატორი*). გენერაციისათვის აუცილებელი უკუკავშირი ხორციელდება აქტ. გარემოს მოთავსებით მოცულობითს რეზონატორში, რ-შიც შეიძლება წარმოიშვას მდგარი ელექტრომაგნ. ტალღები. 1955 ნ. *ბასოვმა* და ა. *პროხოროვმა* და მათგან დამოუკიდებლად აშშ-ში ჩ. *ტაუნზმა* და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს პირველი მოლეკულური კვანტური გენერატორი. აქტ. გარემოს წარმოადგენდა ამიაკის (NH_3) მოლეკულების კონა. ინვერსიული დასახლების შესაქმნელად გამოიყენეს სივრცითი დახარისხების ელექტროსტატ. მეთოდი. NH_3 მოლეკულების კონიდან ამოარჩევდნენ უფრო აგზნებულ მოლეკულებს და განაცალკევებდნენ ნაკლები ენერგიის მქონე მოლეკულებისაგან. ამორჩეული მოლეკულების კონას ატარებდნენ მოცულობითს რეზონატორში, რ-შიც თვითაგზნების პირობების შესრულებისას ხდებოდა გენერაცია. გენერატორის სიხშირე დიდი სიზუსტით ემთხვევა NH_3 აგზნებული მოლეკულების გამოსხივების სიხშირეს. სიხშირის ფარდობითი სტაბილურობა შეადგენს 10^{-11}—10^{-12}. მოლეკულური გენერატორების შექმნამ შესაძლებელი გახადა უზუსტესი საათებისა და სანავიგაციო სისტემების დამზადება; მათი ცდომილება დაახლოებით 1 *წმ*-ია $3\cdot10^5$ *წ*-ში. ინვერსიული დასახლების მიღება აგზნებული ნაწილაკების ამორჩევის გზით ყოველთვის არ არის შესაძლებელი, კერძოდ, ის შეუძლებელია მყარ სხეულებში; გარდა ამისა, მაღალ ოპტ. დონეებზე, როცა ტემპ-რა ძალიან მაღალი არ არის, აგზნებული ნაწილაკები არ არსებობს. ამიტომ 1955 ნ. ბასოვმა და ა. პროხოროვმა შეიმუშავეს ინვერსიული დასახლების ახ. მეთოდი, რ-ის მიხედვით აგზნებულ ნაწილაკებს კი არ ამოარჩევენ უკვე არსებული ნაწილაკებისაგან, არამედ ქმნიან მათ; ეს მეთოდი, რ-იც ცნობილია სამდონიანი მეთოდის სახელით, მდგომარეობს იმაში, რომ ნაწილაკებზე, რ-თა ენერგეტ. სპექტრში არსებობს E_1, E_2, E_3 (ნახ. 2, ა) დონეები, მოქმედებენ მძლავრი დამხმარე გამოსხივებით, რ-საც ნაწილაკები E_1 დონიდან E_3 დონეზე გადაჰყავს (*დაჭირხნა*). თუ დაჭირხნა საკმაოდ ინტენსიურია, მაშინ E_1 დონიდან E_3 დონეზე გადაისროლება იმდენი ნაწილაკი, რომ მათი რაოდენობა ამ დონეებზე პრაქტიკულად ერთმანეთის ტოლი ხდება (ნახ. 2, ბ). ამ დროს E_2 დონეზე შეიძლება უფრო მეტი ნაწილაკი აღმოჩნდეს, ვიდრე E_1 დონეზე (ანდა E_3 დონეზე უფრო მეტი, ვიდრე E_2-ზე), ე. ი. E_2, E_1 (ან E_3, E_2) დონეებზე ხდება დასახლების ინვერსიულობა. დაჭირხნის გამოსხივების სიხშირე შეესაბამება შთანთქმის რეზონანსულ პირობებს, ე. ი. $\nu_0=(E_3-E_1)/h$. ინვერსიული დასახლების მიღების სამდონიანი მეთოდი გამოიყენეს



პარამაგნ. კვანტური მაძლიერებლების შესაქმნელად (ნ. ბლომბერგენი, 1956), სადაც აქტ. ნივთიერებად გამოყენებული იყო პარამაგნ. კრისტალები. პარამაგნ. *მაზერები* მუშაობს თხევადი ჰელიუმის ტემპ-რაზე (4,2K) და წარმოადგენს პრაქტიკულად იდეალურ მაძლიერებლებს ზემაღალი სიხშირეების დიაპაზონში (1 *მმ*-იდან 1 *მ*-მდე). კვანტური მაძლიერებლების საკუთარი ხმაურის დონე ძალიან დაბალია, ამან განაპირობა მათი გამოყენება რადიოასტრონომიაში, რადიოლოკაციაში, კოსმ. კავშირის ხაზებში. პირველი ოპტ. კვანტური გენერატორი (ლაზერი) შექმნეს 1960 (ტ. მეიმანი, აშშ) ლალის კრისტალზე, რ-იც მუშაობდა სამდონიანი სქემის მიხედვით იმპულსური რეჟიმით. შემდგომში შეიმუშავეს სხვადასხვა ტიპის ლაზერები, რ-ებშიც დასახლების ინვერსიის მისაღებად გამოიყენეს სრულიად განსხვავებული ფიზ. მოვლენები (დაწვრილებით იხ. *ლაზერები*). ინვერსიული დასახლების მიღების ყველა მეთოდისათვის დამახასიათებელია იმ პროცესების დაძლევის აუცილებლობა, რ-ებიც მიმართულია წონასწორული დასახლების აღდგენისაკენ. წონასწორული დასახლების აღმდგენი პროცესების დაბრკოლება შესაძლებელია მხოლოდ კვების გარეშე წყაროს ენერგიის ხარჯვით. ამავე დროს ლაზერულ გამოსხივებად გარდაიქმნება „დაჭირხნული" ენერგიის მცირე ნაწილი. სამაგიეროდ „წაგება" ენერგიის რაოდენობაში ბათილდება მისი „ხარისხით": გამოსხივების მონოქრომატულობით და მიმართულობით, რაც ახასიათებს იძულებითს გამოსხივებას.

კვანტური ელექტრონიკის გამოყენება. *კვანტურ* გენერატორებსა და მაძლიერებლებს ფართოდ იყენებენ მეცნ. და ტექნ. მრავალ დარგში. წარმოიშვა არაწრფივი ოპტიკა, რ-იც შეისწავლის სინათლის ინტენსივობაზე დამოკიდებულ არაწრფივ ოპტ. ეფექტებს (სინათლის თვითფოკუსირება, ოპტ. ჰარმონიკების გენერაცია, სინათლის იძულებითი გაბნევა, სინათლის პარამეტრული გენერაცია და სხვ.). სინათლის მძლავრი ნაკადის (10^{14} *ვტ/სმ*^{2}) გავლენით ყველა ცნობილი ნივთიერება იშლება ლაზერული სხივით და იქცევა პლაზმად. განხორციელებულია ლაზერული გამოსხივებით ინიცირებული თერმობირთვული სინთეზი. ლაზერების გამოყენება დიდად პერსპექტიულია *კავშირგაბმულობაში*, *ჰოლოგრაფიაში* და სხვ.

ლიტ.: ჯ ი ბ ლ ა ძ ე მ., ლაზერები და მათი გამოყენება, თბ., 1976; **Квантовая электроника. Маленькая энциклопедия.** М., 1969; С и г м е н А., Мазеры, пер. с англ., М., 1966.

კვანტური მაძლიერებელი, მოწყობილობა, რ-ის მოქმედება ემყარება აგზნებულ მდგომარეობაში მყოფი ნივთიერების *ინდუცირებული გამოსხივების* მოვლენას. ამ ნივთიერებაში ელექტრომაგნ. ტალღის გავლისას ენერგია იზრდება ნივთიერების ატომთა ენერგიის ხარჯზე. ამასთან, ეს ტალღა ინარჩუნებს პირვანდელ სიხშირეს,



კვანტური ელექტრონიკა. ნახ. 1. ა—ფოტონის თავისთავადი გამოსხივება; ბ — იძულებითი გამოსხივება; გ — რეზონანსული შთანთქმა. ε_1 და ε_2 — ატომის ენერგიის დონეები.



კვანტური ელექტრონიკა. ნახ. 2. სამდონიანი მეთოდი: ა—დონეების დასახლება, როცა დაჭირხნა არ ხდება; ბ—მძლავრი დამხმარე გამოსხივება ათანასწორებს ε_1 და ε_3 დონეების დასახლებას და ამით ქმნის ε_2 დონის დასახლების ინვერსიას ε_1 დონის მიმართ.

გავრცელების მიმართულებას, პოლარიზაციას (იხ. *პოლარიზაცია ტალღებისა*) და რჩება კოჰერენტული კ. მ-ის შესავალზე დაცემული პირველადი ტალღის მიმართ. ზემაღალი სიხშირის დიაპაზონის რადიოტალღების კ. მ-ში (ე. წ. პარამაგნიტური კ. მ.) მუშა ნივთიერებად იყენებენ პარამაგნ. იონების მინარევებიან დიამაგნ. კრისტალებს (იხ. *დიამაგნეტიზმი* და *პარამაგნეტიზმი*). კ. მ-ების ძირითადი ღირსებაა მათი საკუთარი ხმაურის მეტისმეტად დაბალი დონე და ამის შედეგად უჩვეულოდ მაღალი მგრძნობიარობა. კ. მ-ებს იყენებენ რადიოასტრონომიაში, პლანეტურ რადიოლოკაციაში და სხვ.

ლიტ. იხ. სტ-თან კვანტური ელექტრონიკა.

კვანტური მექანიკა, ტალღური მექანიკა, თეორია, რ-იც ადგენს მიკრონაწილაკებისა (ელემენტარული ნაწილაკების, ატომების, მოლეკულების, ატომთა ბირთვების) და მათი სისტემების (მაგ., კრისტალების) აღწერის ხერხებსა და მოძრაობის კანონებს, აგრეთვე ნაწილაკებისა და სისტემებისათვის დამახასიათებელ სიდიდეთა კავშირს მაკროსკოპული ცდის დროს უშუალოდ გაზომილ ფიზ. სიდიდეებთან. კ. მ-ის კანონები ნივთიერების აგებულების შესწავლის საფუძველია. კ. მ-ით ახსნეს ყველა ატომური მოვლენა, აირებისა და მყარი სხეულების თვისებები, *ფერომაგნეტიზმი, ზეგამტარობა, ზედენადობა,* ატომბირთვის ძირითადი თვისებები, თერმობირთვული რეაქციები და სხვ.; XX ს. მრავალი ტექ. მიღწევა ემყარება კ. მ-ის კანონზომიერებებს.

კლასიკურმა მექანიკამ ვერ შეძლო ატომური მოვლენების ახსნა. კლასიკური მექან. წინააღმდეგობათა გადალახვით ჩამოყალიბდა ატომის ახ. მექანიკა — კ. მ., რ-ის შექმნისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა მ. *პლანკის* ოსცილატორის ენერგიის დაკვანტვის ჰიპოთეზას (1900), ა. *აინშტაინის* თეორიას სინათლის ორმაგი ბუნების შესახებ (1905) და ნ. *ბორის* ატომის ელემენტარულ კვანტურ თეორიას (1913).

კ. მ-ის განვითარება ორი გზით დაიწყო. ერთი გზა ეკუთვნის ვ. *ჰაიზენბერგს* (1925), ხოლო მეორე — ე. *შრედინგერს* (1926). შემდეგში აღმოჩნდა, რომ ორივე მეთოდი ერთნაირ შედეგს იძლევა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისინი სხვადასხვა მათ. წარმოდგენას იყენებენ. ამ ორი მეთოდის გაერთიანებამ მოგვცა თანამედროვე კ. მ.

ა. აინშტაინის თანახმად, სინათლეს აქვს ორმაგი ბუნება — ტალღური და კორპუსკულური. ამასთან, ერთი მხრით, ტალღის დამახასიათებელ სიდიდეებს — ტალღურ $\boldsymbol{k}$ ვექტორსა და ω სიხშირეს, ხოლო, მეორე მხრით, კორპუსკულის (ნაწილაკის) დამახასიათებელ სიდიდეებს — $\boldsymbol{p}$ იმპულსსა და E ენერგიას შორის. არსებობს კავშირი:

$$\boldsymbol{p}=\hbar\boldsymbol{k},\ E=\hbar\omega, \qquad (1)$$

სადაც $\hbar = h/2\pi = 1{,}05\cdot10^{-27}$ *ერგ·წმ* პლანკის მუდმივაა.

ლ. დე *ბროილმა* განაზოგადა აინშტაინის მოსაზრება (1924). მისი აზრით, ორმაგი ბუნება მხოლოდ სინათლეს კი არ ახასიათებს, არამედ ნებისმიერ მიკრონაწილაკსაც, რ-ისთვისაც მართებულია (1) ფორმულები, რ-თა მიხედვით ნებისმიერ მიკრონაწილაკს უნდა შეეუსაბამოთ დე ბროილის ტალღის სიგრძე $\lambda=1/k=\hbar/p$. ცხადია, სინათლისაგან განსხვავებით, დე ბროილის ტალღებს არაფერი აქვს საერთო ელექტრომაგნ. ტალღებთან, ამიტომ მათ ნივთიერების ტალღებს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ დე ბროილის ჰიპოთეზა რამდენიმე წლის შემდეგ (1927) ბრწყინვალედ დადასტურდა ექსპერიმენტით; აღმოჩნდა, რომ ელექტრონთა ნაკადი ისეთსავე დიფრაქციულ სურათს იძლევა, როგორსაც მოგვცემდა სინათლე, რ-იც დე ბროილის ტალღის სიგრძით დახასიათდებოდა.

მოძრაობის კვანტურ-მექანიკური განტოლება. კ. მ-ის ჩამოყალიბება სხვადასხვა გზით შეიძლება. ქვემოთ გამოყენებულია კლასიკური მექან. და ოპტ. მსგავსების მეთოდი. დე ბროილის თანახმად, ბუნებრივია, რომ თავისუფალ მიკრონაწილაკს შეეუსაბამოთ ბრტყელი მონოქრომატული ტალღა:

$$\Psi(\boldsymbol{r},t)=Ae^{i(\boldsymbol{kr}-\omega t)}. \qquad (2)$$

სადაც A ამპლიტუდაა, ხოლო $\Theta(\boldsymbol{r},t)=\boldsymbol{kr}-\omega t$ — ტალღის ფაზა. (3)

ტალღური ვექტორი და სიხშირე ფაზასთან იქნება შემდეგ კავშირში:

$$\boldsymbol{k}=\nabla\Theta \text{ და } \omega=-\frac{\partial\Theta}{\partial t}, \text{ სადაც } \nabla=\boldsymbol{i}\frac{\partial}{\partial x}+\boldsymbol{j}\frac{\partial}{\partial y}+\boldsymbol{k}\frac{\partial}{\partial z}$$

ჰამილტონის ოპერატორია. თუ გავიხსენებთ, რომ კლასიკური მექან. თანახმად, ნაწილაკის იმპულსი $\boldsymbol{p}=\nabla S$ და ენერგია $E=-\frac{\partial S}{\partial t}$, სადაც $S(\boldsymbol{r},t)$ ქმედების ფუნქციაა, დე ბროილის (1) ფორმულის გამოყენებით მივიღებთ:

$$S(\boldsymbol{r},t)=\hbar\Theta(\boldsymbol{r},t). \qquad (4)$$

მაშასადამე, კლასიკური მექან. ქმედების ფუნქცია და ტალღის ფაზა პროპორციული სიდიდეები ყოფილა. აღსანიშნავია, რომ (4) დამოკიდებულება მართებულია არა მხოლოდ თავისუფალი ნაწილაკის მოძრაობისათვის, არამედ ნებისმიერი სახის მოძრაობისთვისაც; ასეთი მსგავსება მექანიკასა და ოპტიკას შორის ჯერ კიდევ ასი წლის წინ შეამჩნია ჰამილტონმა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო დე ბროილის მსგავსად მას არ შეეძლო ამ ანალოგიისათვის მიენიჭებინა ღრმა ფიზ. აზრი. ცხადია, რომ ბრტყელი ტალღა

$$\Delta\Psi+k^2\Psi=0 \qquad (5)$$

განტოლების ამონახსნია. ამ განტოლებაში გავითვალისწინოთ დე ბროილის ჰიპოთეზა ნივთიერების ორმაგი ბუნების შესახებ და ტალღური ვექტორი შევცვალოთ $\boldsymbol{k}=\boldsymbol{p}/\hbar$ იმპულსით, რადგან ნაწილაკის იმპულსი $p=\sqrt{2m(E-V)}$, სადაც m არის მასა, E სრული ენერგია, ხოლო $V(\boldsymbol{r})$ — პოტენციალი, ამიტომ (5)-იდან მივიღებთ:

$$\Delta\Psi+\frac{2m}{\hbar^2}[E-V(\boldsymbol{r})]\Psi=0 \quad (6).$$

ამ განტოლებას ეწოდება შრედინგერის განტ. სტაციონარული მდგომარეობებისათვის (1926); იგი ასეც შეგვიძლია დავწეროთ:

$$\hat{H}\Psi=E\Psi, \qquad (7)$$

სადაც

$$\hat{H}=-\frac{\hbar^2}{2m}\Delta+V(\boldsymbol{r}). \qquad (8)$$

(7)-იდან ჩანს, რომ შრედინგერის განტ. მისაღებად საკმარისია ჰამილტონ-იაკობის სტაციონარული მდგომარეობის გამომსახველ განტოლებაში $H=E$ ვიგულისხმოთ, რომ H წარმოადგენს (8) ოპერატორს, რ-იც Ψ ფუნქციაზე მოქმედებს. Ψ *ტალღური ფუნქცია* ეწოდება.

თუ დროში ცვალებადი პროცესი უნდა აიწეროს, მაშინ საჭიროა ჰამილტონ-იაკობის არასტაციონარული განტოლება, რ-იც ასე გამოისახება: $\frac{\partial S}{\partial t}\Psi=-\hat{H}\Psi$. მეორე მხრით, (3) ტოლობის თანახმად, (2) გამოსახულება ტოლი იქნება

$$\Psi=A\exp\left[\frac{i}{\hbar}S(\boldsymbol{r},t)\right], \text{ საიდანაც}$$

$$\frac{\partial\Psi}{\partial t}=-\frac{1}{i\hbar}\frac{\partial S}{\partial t}\Psi, \text{ მაშასადამე, მიიღება}$$

ასეთი განტ.:

$$i\hbar\frac{\partial\Psi(\boldsymbol{r},t)}{\partial t}=\hat{H}\Psi(\boldsymbol{r},t)=-\frac{\hbar^2}{2m}\Delta\Psi+V(\boldsymbol{r},t)\Psi, \qquad (9)$$

რ-საც შრედინგერის დროითი განტ. ეწოდება. (7)-თან შედარებით მივიღებთ, რომ არასტაციონარულ შემთხვევაში სრული ენერგიაც ოპერატორია: $\hat{E}=i\hbar\frac{\partial}{\partial t}$. როცა პოტენციური ენერგია დროზე ცხადად არ არის დამოკიდებული, მაშინ (9) განტოლების ამონახსნს ასეთი სახე აქვს: $\Psi(\boldsymbol{r},t)=\Psi(\boldsymbol{r})\exp\left(-\frac{i}{\hbar}Et\right)$ და (9) განტ. გადადის სტაციონარული მდგომარეობების შესაბამის (7) განტოლებაში. როგორც (7)-იდან ჩანს, მოძრაობის კვანტური განტ. მისაღებად საჭიროა ჰამილტონის ფუნქციის ნაცვლად განვიხილოთ ჰამილტონის ოპერატორი და ამ ოპერატორისათვის დავწეროთ საკუთარი ფუნქციებისა და საკუთარი მნიშვნელობების განტ., რ-ის საკუთარი მნიშვნელობანი იქნება ენერგიის ის მნიშვნელობები, რ-ებიც ნაწილაკს შეიძლება ჰქონდეს გაზომვის პროცესში. ამ თვალსაზრისით შრედინგერის (7) განტ. ენერგიის ოპერატორის საკუთარი ფუნქციებისა და საკუთარი მნიშვნელობების განტოლებაა. ეს გარემოება გვიფიქრებინებს, რომ კ. მ-ში სხვა ფიზ. სიდიდეებსაც ოპერატორები უნდა შეეუსაბამოთ. კ. მ-ის ძირითადი ჰიპოთეზა სწორედ ამ საკითხს პასუხობს. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ნებისმიერ დინამ. ფიზ. სიდიდეს უნდა შეეუსაბამოთ წრფივი ერმიტული ოპერატორი, რ-ის საკუთარი მნიშვნელობანი იძლევა ცდით გაზომილი ფიზ. სიდიდის მნიშვნელობებს: ოპერატორთა შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, როგორიც ამ ოპერატორების შესაბამის ფიზ. სიდიდეებს შორის კლასიკურ მექანიკაში. ამასთან, ოპერატორის ერმიტულობა საჭიროა იმისათვის, რომ ნამდვილი იყოს მისი საკუთარი მნიშვნელობანი, რ-ებიც ფიზ. სიდიდეებს განსაზღვრავენ. ოპერატორისა წრფივობა კი საჭიროა ექსპერ. ფაქტის — *სუპერპოზიციის პრინციპის* დასაცავად.

ტალღური ფუნქციის ფიზიკური შინაარსი. შრედინგერის განტ. ამონახსნი საზოგადოდ კომპლექსურია. Ψ-ს ფიზ. შინაარსის გასარკვევად გვეხმარება უწყვეტობის განტ., რ-იც ადვილად გამოიყვანება (9)-იდან. მას აქვს ასეთი სახე:

$$\frac{\partial\rho}{\partial t}+\operatorname{div}\boldsymbol{J}=0, \qquad (10)$$

სადაც

$$\rho=\Psi^*\Psi=|\Psi|^2,$$

$$\boldsymbol{J}=\frac{i\hbar}{2m}(\Psi\nabla\Psi^*-\Psi^*\nabla\Psi). \qquad (11)$$

უწყვეტობის განტ. ფიზ. შინაარსიდან ნათელია, რომ $\boldsymbol{J}$ არის დენის ვექტორი, ხოლო $|\Psi|^2 d\tau$ გამოსახავს დროის t მომენტში ნაწილაკის $d\tau$ მოცულობაში მოხვედრის ალბათობას (მ. ბორნი), ე. ი. კ. მ-ში ერთი ნაწილაკის შემთხვევაშიც კი ნაწილაკის მდებარეობა განისაზღვრება ალბათურად, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი სტატისტ. ხასიათისაა.

მდგომარეობის კვანტური აღწერა. როცა კლასიკურ მექანიკაში მოცემულია საწყისი მდგომარეობა, ე. ი. ნაწილაკის მდებარეობა და იმპულსი, მაშინ ნიუტონის მოძრაობის კანონები საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ნაწილაკის მდგომარეობა დროის ნებისმიერ შემდგომ მომენტში. კ. მ-ში კი მდგომარეობის ამგვარი აღწერა შეუძლებელია. ეს გამოწვეულია ვ. ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობის პრინციპით (1927), რ-ის თანახმად, ნაწილაკის კოორდინატისა და შესაბამისი იმპულსის ერთდროულად და ზუსტად განსაზღვრა პრინციპულად შეუძლებელია. განუსაზღვრელობის პრინციპი შემდეგნაირად გამოისახება:

$$\Delta x\,\Delta p_x\sim\hbar, \qquad (12)$$

სადაც Δx და Δp_x შეგვიძლია განვიხილოთ როგორც განუსაზღვრელობები, რ-ებიც გვაქვს კოორდინატისა და იმპულსის გაზომვის დროს. როცა კოორდინატს ვზომავთ ზუსტად, ე. ი. $\Delta x=0$, მაშინ იმპულსი განუსაზღვრელია $\Delta p_x=\infty$ და, პირიქით, აქედან გამომდინარე, ნაწილაკს გარკვეუ-

ლი ტრაექტორია არ გააჩნია. კ. მ-ის თანახმად, ნაწ. $|\Psi|^2$ ალბათობით „განფენილია" მთელ სივრცეზე.

შრედინგერის განტ. შეიცავს დროით პირველი რიგის წარმოებულს, ამიტომ საჭიროა ტალღური ფუნქციის საწყისი $\Psi(r,0)$ მნიშვნელობის მოცემა. $\Psi(r,0)$-ის საშუალებით მოცემული შრედინგერის განტ. განსაზღვრავს $\Psi(r, t)$ ფუნქციას დროის ნებისმიერ შემდგომ მოძენტში. კ. მ-ში ამა თუ იმ სტაციონარული ამოცანის გადაწყვეტა გულისხმობს $\hat{H}\ \Psi = E\Psi$ განტ. ამოხსნას. შედეგად ვიპოვით ენერგიას და ტალღურ ფუნქციას. ამიტომ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ Ψ ფუნქცია განსაზღვრავს მოცემული ამოცანის კვანტურ მდგომარეობას. Ψ ფუნქცია არის მაქსიმუმი, რის მოცემაც შეუძლია კ. მ-ს. ცნობილია, რომ მხოლოდ ენერგია არ არის საკმარისი ამოცანის დასახასიათებლად. ხშირად საჭიროა სხვა ფიზ. სიდიდეების ცოდნაც, მაგ., იმპულსის, იმპულსის მომენტისა და სხვ. ამიტომ იბადება კითხვა: Ψ-თი დახასიათებულ კვანტურ მდგომარეობაში როდის შეიძლება ენერგიის გარდა სხვა ფიზ. სიდიდეების განსაზღვრა? რადგან მდგომარეობას განსაზღვრავს Ψ ფუნქცია, ამიტომ სხვა სიდიდეების საპოვნელად იგივე Ψ-თვის მართებული უნდა იყოს $\hat{A}\ \Psi = a\ \Psi$ განტ., სადაც a არის ჩვენთვის საინტერესო ფიზ. სიდიდე, $\hat{A}$ კი— მისი შესაბამისი ოპერატორი. სხვანაირად რომ ვთქვათ, Ψ უნდა იყოს $\hat{H}$ და $\hat{A}$ ოპერატორების საერთო საკუთარი ფუნქცია. მათემატიკიდან ცნობილია, რომ ეს მაშინ შეიძლება, როცა $\hat{H}$ და $\hat{A}$ კომუტირებადი ოპერატორებია $\hat{H}\hat{A}=\hat{A}\hat{H}$. თუ გვაინტერესებს კიდევ სხვა b ფიზ. სიდიდის განსაზღვრაც, საჭიროა შესაბამისი $\hat{B}$ ოპერატორი კომუტატიური იყოს როგორც $\hat{H}$, ისე $\hat{A}$ ოპერატორთან. ამგვარად, Ψ მდგომარეობაში ერთდროულად და ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობანი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ სიდიდეებს, რ-თა შესაბამისი ოპერატორები კომუტატიურია როგორც ჰამილტონიანთან, ისე ერთმანეთთან. რაც შეეხება ჰამილტონიანთან არაკომუტატიურ ოპერატორებს, მათი საკუთარი მნიშვნელობების განსაზღვრა Ψ მდგომარეობაში შეუძლებელია.

ამგვარად, ფიზ. სიდიდეები ორ კლასად იყოფა: ფიზ. სიდიდეების ერთი წყება ერთდროულად და ზუსტად იზომება, სიდიდეების მეორე წყების განსაზღვრა კი ერთდროულად და ზუსტად პრინციპულად შეუძლებელია. იმპულსის ოპერატორი არ არის კომუტატიური კოორდინატთან $\hat{p}_x(x\Psi)\neq x(\hat{p}_x\Psi)$. სწორედ ამის შედეგია ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობის პრინციპი. ასეთსავე განუსაზღვრელობას აქვს ადგილი კანონიკურად შეუღლებულ ყველა სიდიდეს შორის, მაგ., ენერგიასა და დროს შორის და სხვ.

როცა Ψ მდგომარეობაში ფიზ. სიდიდე ზუსტად არ იზომება, მაშინ შეგვიძლია ვიპოვოთ ამ სიდიდის კვანტურ-მექან. საშ. მნიშვნელობა:

$$\bar{a}=\int_{-\infty}^{+\infty}\Psi^*\ \hat{A}\ \Psi\ d\ \tau, \qquad (13)$$

სადაც იგულისხმება, რომ Ψ ფუნქცია ნორმირებულია ერთზე.

აღსანიშნავია, რომ კ. მ-ის საშ. მნიშვნელობანი ზუსტად ისევე იქცევიან, როგორც შესაბამისი სიდიდეები კლასიკურ მექანიკაში; მაგ., კოორდინატის საშ. მნიშვნელობა შეიძლება განვსაზღვროთ ნიუტონის მოძრაობის განტოლებიდან (ერენფესტის თეორემა).

კვანტური მექანიკის გამოყენება. შრედინგერის განტოლებას შეიძლება ჰქონდეს ენერგიის როგორც უწყვეტი, ისე დისკრეტული სპექტრი. სპექტრის ხასიათს განსაზღვრავს ამოცანის სასაზღვრო პირობები. განვიხილოთ თავისუფალი ნაწილაკის ერთგანზომილებიანი მოძრაობა $[V(x)=0]$. შრედინგერის განტოლებას ექნება ამონახსნი $\Psi(x) = A\exp\left(\frac{i}{\hbar}p_x x\right)$. სასაზღვრო პირობები (უწყვეტობა, სასრულობა, ცალსახობა) დაცული იქნება, მაშინ როცა $E\geqslant 0$, ე. ი. როცა თავისუფალი ნაწილაკის სპექტრი უწყვეტია, მას შეიძლება ჰქონდეს ენერგიის ნებისმიერი მნიშვნელობა. თუ ნაწ. მოძრაობს მართკუთხა უსასრულოკედლებიან პოტენციურ ორმოში $[V(x)=0$, როცა $0<x<a$, ხოლო $V(x)=\infty$, როცა $x\leqslant 0$ და $x\geqslant a]$, მაშინ ბუნებრივი იქნება მოვითხოვოთ სასაზღვრო პირობა $\Psi(0)=\Psi(a)=0$, რის შედეგად ტალღური ფუნქციისათვის მივიღებთ: $\Psi_n = \sqrt{\frac{2}{a}}\sin\frac{n\pi}{a}x$, ხოლო ენერგია ტოლი იქნება $E_n=n^2\frac{\pi^2\hbar^2}{2ma^2}$, სადაც $n=1, 2, 3,\ldots$ ეწოდება კვანტური რიცხვი, მაშასადამე, ენერგია იკვანტება. იგი ღებულობს არა ნებისმიერ მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულს. ენერგიის დაკვანტვის კიდევ ერთი მაგალითია წყალბადის ატომის შემთხვევა, სახელდობრ, შრედინგერის განტოლების ამოხსნა ენერგიისათვის გვაძლევს:

$$E_n=\frac{e^4\mu}{2n^2\hbar^2}, \qquad n=1, 2, 3,\ldots \quad (14)$$

სადაც e არის ელექტრონის მუხტი, ხოლო $\mu=m[1+(m/M)]^{-1}$—ელექტრონისა და პროტონის სისტემის დაყვანილი მასა. (14) ზუსტად ემთხვევა ბორის წყალბადის ატომის ენერგიას. თუ გამოვიყენებთ ბორის სიხშირეთა კანონს $h\nu_{ik}=E_i-E_k$, ადვილად მივიღებთ ბალმერის განზოგადებულ ფორმულასაც, რ-იც ახასიათებს წყალბადის ატომის სპექტრებს.

კ. მ-ში ენერგიასთან ერთად შესაძლებელია იმპულსის მომენტის გაზომვაც. მომენტის ოპერატორების მდგენლები $\hat{l}_x, \hat{l}_y, \hat{l}_z$ ერთმანეთთან არაკომუტატიურია, მაგრამ თითოეული მათგანი კომუტატიურია $\hat{l}^2=\hat{l}^2_x+\hat{l}^2_y+\hat{l}^2_z$ ოპერატორთან, ამიტომ $\hat{l}^2$ და $\hat{l}_z$ ერთდროულად და ზუსტად იზომება. კ. მ. მათთვის გვაძლევს მნიშვნელობებს:

$$l^2=\hbar^2\ l\ (l+1),\ l_z=m\hbar, \qquad (15)$$

სადაც $l=0, 1, 2,\ldots$ ორბიტული კვანტური რიცხვია, ხოლო $m=0, \pm 1,\ldots, \pm l$ მაგნ.-კვანტური რიცხვი, იგი ღებულობს მნიშვნელობას $2\ l+1$. მაშასადამე, როგორც l^2, ისე l_z იკვანტება.

შრედინგერის განტოლება ნაწილაკთა სისტემისათვის. N ნაწილაკის სისტემისათვის შრედინგერის განტ. ასე დაიწერება: $\hat{H}\ \Psi\ (q_1,\ q_2,\ \ldots,q_N)=E\Psi(q_1,\ q_2,\ldots,q_N)$, სადაც q_i-ური ნაწილაკის ყველა კოორდინატის ერთობლიობაა სპინის ჩათვლით. ნაწილაკთა სისტემის ჰამილტონიანი მიიღება აგრეთვე კლასიკური მექან. სისტემის ჰამილტონიანში ოპერატორებზე გადასვლით. კ. მ-ში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ იგივურ და არაიგივურ ნაწილაკთა სისტემები. ამასთან, ნაწილაკებს იგივური ეწოდება, თუ მათ აქვთ ერთნაირი მასა, მუხტი, სპინი და ა. შ. რადგან ნაწილაკები ტრაექტორიებზე მოძრაობენ, კლასიკურ მექანიკაში იგივური ნაწილაკების ერთმანეთისაგან განსხვავება პრინციპულად მაინც შესაძლებელია. კ. მ-ში კი იგივური ნაწილაკების ერთმანეთისაგან განსხვავება პრინციპულად შეუძლებელია. ცხადია, იგივურ ნაწილაკთა ჰამილტონიანი არ შეიცვლება, თუ ორ ნებისმიერ ნაწილაკს ადგილებს შევუნაცვლებთ. ჰამილტონიანის ამ თვისების გამო იგივურ ნაწილაკთა სისტემის ტალღური ფუნქცია ნაწილაკთა გადასმის დროს ნიშანს ან იცვლის (ანტისიმეტრიულია), ან არ იცვლის (სიმეტრიულია). ამგვარად, იგივურ ნაწილაკთა სისტემა ორ კლასად იყოფა; ერთი კლასის ნაწილაკები სიმეტრიული ფუნქციით აიწერება, მეორე კლასისა კი — ანტისიმეტრიული ფუნქციით, ამასთან, ცდა გვიჩვენებს, რომ ანტისიმეტრიული ფუნქციით აიწერება ნაწილაკები, რ-თა სპინი კენტი რიცხვის ჯერადია. ამ ნაწილაკებს (ელექტრონი, პოზიტრონი, ნეიტრონი, პროტონი და სხვ.) *ფერმიონებს* უწოდებენ. სიმეტრიული ფუნქციით აიწერება ისეთი ნაწილაკები, რ-თა სპინი მთელი რიცხვის ჯერადია; მათ (γ-კვანტი, დეიტრონი, α-ნაწილაკი და სხვ.) *ბოზონებს* უწოდებენ. მაგ., ორი ფერმიონის ანტისიმეტრიულ ტალღურ ფუნქციას ექნება ასეთი სახე:

$$\Psi_a(q_1, q_2) = \frac{1}{\sqrt{2}}\left\{\ \Psi_n(q_1)\Psi_m(q_2) - \Psi_m(q_1)\ \Psi_n\ (q_2)\right\},$$

სადაც n და m მდგომარეობის დამახასიათებელი ყველა კვანტური რიცხვის ერთობლიობაა. როცა ორი ფერმიონი ერთ და იმავე მდგომარეობაშია, ე. ი. როცა $n=m$, მაშინ $\Psi_a\equiv 0$. ეს გამოსახავს პაულის პრინციპის შინაარსს, რ-ის მიხედვით ერთ და იმავე კ. მ-ში ორ ფერმიონს მოხვედრა არ შეუძლია.

შრედინგერის განტოლების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდები. კ. მ-ში ზუსტად ამოხსნადი ამოცანების რიცხვი საკმაოდ მცირეა. განსაკუთრებით ძნელია შრედინგერის განტ. ამოხსნა, როცა ნაწილაკთა რიცხვი ორზე მეტია. ამ შემთხვევაში მიმართავენ მიახლოებითი ამოხსნის მეთოდებს. ამ მეთოდების დიდი ნაწილი (შეშფოთების თეორია, ვარიაციული მეთოდები, კვაზიკლასიკური მიახლოება და ა. შ.) ცნობილი იყო კ. მ-ის ჩამოყალიბებამდე. ზოგი მათგანი კი (მაგ., ჰარტრი-ფოკის მეთოდი, ტომას-ფერმის მეთოდი და სხვ.) დამუშავდა კ. მ-ის ჩამოყალიბების შემდეგ. ამ მეთოდებისა და თანამედროვე სწრაფად გამომთვლელი ელექტრონული მანქანების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ამოცანის საჭირო სიზუსტით ამოხსნა.

კლასიკურ მექანიკაზე გადასვლა. ზღვარში, როცა $\hbar\to 0$, კ. მ. გადადის კლასიკურ მექანიკაში. შრედინგერის განტოლებაში უშუალოდ $\hbar\to 0$ ზღვარზე გადასვლა არ ხერხდება, ამიტომ Ψ ფუნქცია უნდა შევცვალოთ $\Psi = exp\left[\frac{i}{\hbar}S(r, t)\right]$ გამოსახულებით, მაშინ შრედინგერის (9) განტოლებიდან მივიღებთ, რომ

$$\frac{\partial S}{\partial t}=-\frac{1}{2m}(\nabla S)^2+\frac{i\hbar}{2m}\Delta S-V(r,t);$$

როცა $\hbar\to 0$, მაშინ შრედინგერის განტოლებიდან, მართლაც, მიიღება ჰამილტონიაკობის განტ.: $\frac{\partial S}{\partial t}+H=0$, რ-იც კლასიკური მექან. საფუძველია.

ლიტ.: ვაშაკიძე ი., მამასახლისოვი ვ., ჭილაშვილი გ., კვანტური მექანიკა, გამოც. მე-2, თბ., 1978; Дирак П., Принципы квантовой механики, пер. с англ., М., 1960; Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Квантовая механика, 2 изд., М., 1963 (Теоретическая физика, т. 3).

გ. ჭილაშვილი.

კვანტური რადიოფიზიკა, იგივეა, რაც *კვანტური ელექტრონიკა.*

კვანტური რიცხვები, მთელი ან მთელნახევარი რიცხვები, რ-ებიც განსაზღვრავენ კვანტური სისტემების (ატომის ბირთვის, ატომის, მოლეკულის) და ცალკეული *ელემენტარული ნაწილაკებისათვის* დამახასიათებელ ფიზიკურ სიდიდეთა შესაძლო დისკრეტულ მნიშვნელობებს. კ. რ-ის გამოყენება ასახავს მიკროსამყაროს პროცესების დისკრეტულობას და დაკავშირებულია *პლანკის მუდმივასთან.* იმ კ. რ-ის ნაკრებს, რ-ებიც კვანტური სისტემის მდგომარეობას მთლიანად განსაზღვრავენ, სრული ნაკრები ეწოდება. მაგ., წყალბადისა და წყალბადის მსგავსი ატომებისათვის სრული ნაკრებია შემდეგი კ. რ.: *მთავარი კვანტური რიცხვი, ორბიტუ-*



კვანძი საზღვაო: ა—პირდაპირი; ბ — ბრტყელი; გ — „კატის თათები"; დ — კანჯოსი; ე—საკასრე; ვ—რვიანი; ზ—საჩერებელი.

ლი კვანტური რიცხვი, მაგნიტური ორბიტული კვანტური რიცხვი და *მაგნიტური სპინური კვანტური რიცხვი*. ზოგჯერ აუცილებელი ხდება სხვა კ. რ-ის შემოღება.

ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასა და ბირთვულ ფიზიკაში შემოღებულია სხვადასხვა კ. რ. — ნაწილაკთა მახასიათებლები, რ-ებიც განსაზღვრავენ ნაწილაკთა ურთიერთქმედებისა და ურთიერთგარდაქმნის კანონზომიერებებს. ასეთი კ. რ-ია: *სპინი, ბარიონული მუხტი, ლეპტონური მუხტი, იზოტოპური სპინი, უცნაურობა*, შინაგანი *ლუწობა, ფერი, მომხიბლაობა*.

კვანტური საათი, მოწყობილობა დროის ზუსტი გაზომვისათვის, მისი უმთავრესი ნაწილია *სიხშირის კვანტური სტანდარტი*. „საქანის" როლს კ. ს-ში ატომები ასრულებს. ერთი ენერგეტ. მდგომარეობიდან მეორეში კვანტური გადასვლისას ატომების მიერ შთანთქმული ან გამოსხივებული სიხშირე არეგულირებს კ. ს-ის სვლას. ეს სიხშირე იმდენად სტაბილურია, რომ კ. ს-ით უფრო ზუსტად იზომება დრო, ვიდრე ასტრონ. მეთოდების გამოყენებით. კ. ს-ს ხშირად ატომურ საათსაც უწოდებენ.

კ. ს-ს იყენებენ რადიონავიგაციის სისტემებში, ასტრონ. ობსერვატორიებში, კვლევითსა და საკონტროლო საზომ ლაბორატორიებში და სხვ.

კვანტური სითხე, ისეთ მდგომარეობაში მყოფი სითხე, როდესაც ვლინდება კვანტური ფიზიკის კანონზომიერებანი (საწინააღმდეგო ტერმინია კლასიკური სითხე—სითხე, რ-იც აიწერება კლასიკური ფიზ. კანონებით). სითხის ატომს, როგორც ყოველ ნაწილაკს, ახასიათებს ე. წ. *დე ბროილის ტალღის* სიგრძე $\lambda=h/mv$ (ზომა იმ არისა, სადაც ატომის აღმოჩენის ალბათობა საკმარისად დიდია), სადაც h არის პლანკის მუდმივა, m—ატომის მასა, v—მისი სიჩქარე. ატომების სითბური მოძრაობისას $\lambda\sim h/\sqrt{mkT}$ (k—ბოლცმანის მუდმივაა, T — აბსოლ. ტემპ-რა), ამიტომ ტემპ-რის შემცირებისას λ იზრდება და აჭარბებს ატომებს შორის a მანძილს. თუ $T<T_0\sim h^2/mka^2$, მაშინ სითხე ველარ აიწერება, როგორც a მანძილით დაშორებული ნაწილაკების ერთობლიობა (ყოველ წერტილში თანაბარი ალბათობით არის რამდენიმე ატომი). ამასთან, სითბური მოძრაობის ენერგია ნაკლებია ე. წ. ნულოვანი რხევების ენერგიაზე, რ-იც კვანტური ფიზ. თანახმად მერხევი ნაწილაკის უმცირესი შესაძლო ენერგიაა (იხ. *ნულოვანი ენერგია*).

სითხეთა უმრავლესობა მყარდება იმდენად მაღალ ტემპ-რაზე, რომ კვანტურ თვისებებს ვერ ამჟღავნებს. გამონაკლისია თხევადი ჰელიუმი, რ-იც ბუნებაში გვხვდება ორი იზოტოპის სახით: $^4_2$He და $^3_2$He. ატომების მასისა და მათ შორის ურთიერთქმედების სიმცირის გამო ჰელიუმი ვერ ასწრებს გამყარებას კვანტურ მდგომარეობაში გადასვლამდე, უფრო დაბალ ტემპ-რაზე კი ძლიერი ნულოვანი რხევები ხელს უშლის მის კრისტალიზაციას და განაპირობებს თხევად მდგომარეობაში დარჩენას თვით აბსოლ. ნულამდე.

მძიმე იზოტოპის $^4_2$He ატომები ე. წ. ბოზე-ნაწილაკებია (მათი ბირთვის სპინი ნულია). 2,17 K-ის ქვემოთ ეს სითხე კვანტურ მდგომარეობაშია (იხ. *ზედენადობა*). საბჭ. მეცნიერის ლ. ლანდაუს თეორიაში თხევადი $^4_2$He-ის აგზნების ენერგია (ენერგიისა და უმცირესი შესაძლო ენერგიის სხვაობა) წარმოდგენილია, როგორც კვაზინაწილაკების—*ფონონებისა* და *როტონების* ენერგიათა ერთობლიობა.

მსუბუქი იზოტოპი $^3_2$He ფერმი-ნაწილაკებისაგან შედგება (ატომბირთვის სპინი არის 1/2). უდაბლეს ტემპ-რამდე იგი კვანტური, მაგრამ არაზედენადი სითხეა. 2,7mK ქვემოთ კი წარმოიქმნება $^3_2$He ატომთა წყვილები, რ-ებიც ბოზე-ნაწილაკებია და თხევად $^3_2$He-ში თავს იჩენს ზედენადობა.

უფრო ფართო გაგებით, კ. ს-ებია აგრეთვე ელექტრონული სითხე ლითონებში, პროტონებისა და ნეიტრონების სითხე ატომბირთვებში, ნეიტრონული სითხე მბრუნავ ვარსკვლავებში (პულსარებში) და სხვ. ზედენადი ჰელიუმის თვისებების შესწავლასა და პულსარების თვისებების მბრუნავი ჰელიუმის თვისებებთან მსგავსების დადგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართვ. ფიზიკოსებს.

ლიტ.: Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Статистическая физика, 2 изд., М., 1964 (Теоретическая физика, т. 5).

ი. მამალაძე.

კვანტური სტატისტიკა, *სტატისტიკური ფიზიკის* ნაწილი, რ-იც იკვლევს *კვანტური მექანიკის* კანონებს დამორჩილებულ ნაწილაკთა სისტემებს.

კვანტური ქიმია, თეორიული ქიმიის დარგი, რ-იც *კვანტური მექანიკის* ფუნდამენტური წარმოდგენების საფუძველზე ძირითადად შეისწავლის მოლეკულების ელექტრონულ აგებულებას და მასზე დამოკიდებულ ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. კ. ქ-მ ახლებურად გააშუქა კლასიკური ქიმ. უმნიშვნელოვანესი ცნებები — *ვალენტობა* და *ქიმიური ბმა*. „ქიმიურ საყრდენს" კ. ქ-ის განვითარებისათვის წარმოადგენს ა. ბუტლეროვის ქიმ. აგებულების თეორია და დ. მენდელეევის *პერიოდულობის კანონი*. კ. ქ-ში იშლება (განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჯერ კიდევ არასრულად) ტრად. ზღვარი ფიზიკასა და ქიმიას შორის, რადგან მოლეკულების თვისებების ერთობლიობა შეიძლება პრინციპში მიღებულ იქნეს მოლეკულური ტალღური ფუნქციის საშუალებით, რ-იც წარმოადგენს შესაბამისი სისტემისათვის *შრედინგერის განტოლების* (შგ) ამოხსნას. ქიმიისათვის საინტერესო ატომურ-მოლეკულური სისტემების შემთხვევაში შგ-ის ზუსტი ანალიზური ამოხსნა ცნობილია მხოლოდ ერთი ელექტრონის მქონე ნაწილაკებისათვის (წყალბადის ატომი და წყალბადის მაგვარი იონები, წყალბადის მოლეკულური იონი H_2^+). მრავალელექტრონიანი სისტემებისათვის შგ-ის ზუსტი ამოხსნის პრინციპული სიძნელეები განპირობებულია მათში შემავალ ელექტრონთა შორის ურთიერთქმედების აღმრიცხველი წევრების არსებობით. საკითხი ქიმიური ბმის ხასიათის შესახებ წარმატებით გადაიჭრა უმარტივესი მოლეკულის — H_2-ის კვანტურ-მექანიკური გამოთვლისას (1927) და მიღებულ იქნა ფუნდამენტური მნიშვნელობის შედეგი კოვალენტურ ბმაში მონაწილე ელექტრონების სპინების ანტიპარალელური ორიენტაციის აუცილებლობის შესახებ. ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა კ. ქ-ს და დასაბამი მიეცა მრავალელექტრონიანი სისტემების თეორ. შესწავლის მიახლოებითი მეთოდების სწრაფ განვითარებას. ძირითადად 1927—30 დამუშავდა ქიმ. ბმის მიახლოებითი კვანტურ-მექან. თეორიის ის საწყისები, რ-თა საფუძველზე ჩამოყალიბდა და განვითარდა ვალენტური ბმების (ვბ) (ვ. ჰაიტლერი, ფ. ლონდონი, ჯ. სლეიტერი, ლ. პოლინგი), კრისტ. ველისა (კვ) (ჰ. ბეთე, ვან ფლეკი) და მოლეკულური ორბიტალების (მო) (ჯ. ლენარდ-ჯოუნზი, რ. მალიკენი, ფ. ჰუნდი, ე. ჰიუკელი) თეორიები.

ვბ-ის თეორიაში მათ. ფორმულირება მიიღო ჯ. ლუისის უაღრესად ნაყოფიერმა წარმოდგენებმა მოლეკულებში ორიენტრიანი, ორელექტრონიანი ბმების შესახებ. ვბ-ის თეორია ბევრ ასპექტში აგებულების კლასიკური თეორიის კვანტურ-მექან. ეკვივალენტს წარმოადგენს. ამ თეორიამ საკმაო წარმატებით ახსნა მოლეკულების რიგი დამახასიათებელი თვისებანი, განსაკუთრებით კი—გეომ. აგებულება.

კვ-ის თეორია უშვებს, რომ გარდამავალი ჯგუფის ლითონების კომპლექსნაერთებში ხორციელდება იონური ან იონ-დიპოლური ბმა, ხოლო კომპლექსწარმომქმნელი ლითონის იონი ლიგანდებით განპირობებულ ელექტროსტატ. ველშია. უახლესმა ექსპერ. ფაქტებმა 50-იან წლებში საფუძველი ჩაუყარეს ლიგანდთა ველის (ლვ) თეორიას, რ-იც ინარჩუნებს კვ თეორიის უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს და ფაქტიურად წარმოადგენს ამ თეორიის ბაზაზე შექმნილ მო თეორიის მოდიფიკაციას.

კ. ქ-ის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მო თეორია ქიმ. ბმის საკითხების თეორ. კვლევის წამყვანი თეორიაა.

უკანასკნელ წლებში გამოთვლითი ტექ. განვითარებამ შესაძლებელი გახადა რიგი მოლეკულების არაემპირიული გამოთვლების ჩატარება. ასეთი სახის კვლევები უაღრესად შრომატევადია, რაც დაკავშირებულია ჰარტრი-ფოკის თვითშეთანხმებული ველის მეთოდის გამოყენების ფარგლებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტეგრალების გამოთვლასთან. ამიტომ შედარებით დიდი ზომის მოლეკულათა შესასწავლად ბოლო პერიოდში ბუნებრივია, რომ განვითარდა ატომური ორბიტალების წრფივი კომბინაციის თეორიის მთელი რიგი ნახევრად ემპირიული მეთოდები.

კ. ქ-ის განვითარება გამოთვლითს ტექნიკასთან მჭიდრო კავშირში, ქიმ. სისტემების შემდგომი შესწავლის ფართო პერსპექტივებს შლის.

ლიტ.: Козман У., Введение в квантовую химию, пер. с англ., М., 1960.

მ. ურუშაძე.

კვანძთა ხაზი ასტრონომიაში, წრფე, რ-ზეც ციური სხეულის ორბიტის სიბრტყე კეთს ცენტრალურ სხეულზე გამავალ ძირითად სიბრტყეს (პლანეტების, კომეტებისა და სხვ. შემთხვევაში — ეკლიპტიკას; დედამიწის ეკვატორს — დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და მთვარის შემთხვევაში).

კვანძი ტექნიკაში, 1. მანქანის, მექანიზმის, დანადგარისა და მისთ. ნაწილი, რ-იც რამდენიმე მარტივი ელემენტისაგან (დეტალისაგან) შედგება და წარმოადგენს *აგრეგატში* შემავალ ასაწყობ ერთეულს. 2. ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ ადგილზე განლაგებული ნაგებობების, მექანიზმების, მანქანებისა და სხვა მოწყობილობების ერთობლიობა, მაგ., ჰიდროკვანძი, რადიოკვანძი. 3. საავტ. გზების რამდენიმე მაგისტრ. მიმართულების გადაკვეთის პუნქტი — *სატრანსპორტო გახსნა*, აგრეთვე რამდენიმე რკინიგზის სადგურის ერთობლივი მუშაობის პუნქტი — *რკინიგზის კვანძი*. 4. შენობის მომიჯნავე სათავსები, რ-ებშიც განლაგებულია სანიტ. ხელსაწყოები და სხვა საჭირო მოწყობილობა — სანიტ. კ. 5. სამშენებლო *მზიდ კონსტრუქციებში* ერთმანეთის მიმართ კუთხით განლაგებული რამდენიმე ღეროსა და მისთ. ელემენტის შეერთების ადგილი (წერტილი). 6. *ელექტრული წრედის* რამდენიმე შტოს შეერთების წერტილი.

კვანძი ნავიგაციაში, სიჩქარის სისტემის გარეშე ერთეული. უდრის 1 საზღვაო მილს *სთ*-ში: 1კ.=1*მილ/სთ*=1,852 *კმ/სთ*=0,5144 *მ/წმ*.

კვანძი საზღვაო, კვანძები და საჭერები საზღვაო სართავებზე; სართავების ერთმანეთთან ან რანპოუტთან დამაგრების ადგილები. საზღვაო კ-ს უფრო ხშირად სატაკელაჟო სამუშაოების შესრულებისას იყენებენ. იგი თვითნებურად არ უნდა იხსნებოდეს, მაგრამ მისი გახსნა ადვილად უნდა შეიძლებოდეს. საზღვაო კ-ს ნასკვავენ დროებით და მხოლოდ მცენარეულ ბაგირებზე. ხშირად იყენებენ შემდეგი სახის საზღვაო კ-ებს (ნახ.): პირდაპირს (ორი ერთნაირი სისქის გვარლის გადასაბმელად), ბრტყელს (სხვადასხვა სისქის

გვარლების გადასაბმელად), „კატის თათებს“ (გემსართის დასამოკლებლად), კანჯოს (კანჯოს ბუქსირებისათვის), საკასრეს (კასრებისა და სხვ. ასაწევად), საჩერებელს, რვიანს და სხვ.

კვანძის გასკვნა, ინტერესთა შეჯახების, წინააღმდეგობათა გართულების, გმირთა ურთიერთობის გამოკვეთის მომენტი მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტში, რაც დასაბამს აძლევს მოქმედების შემდგომ განვითარებას. კ. გ-ს ზოგჯერ წინ უსწრებს შესავალი ნაწილი (ექსპოზიცია), ზოგჯერ კი ემთხვევა მას. მაგ., ვეფხისტყაოსანში კ. გ-ა უცხო მოყმის მოულოდნელი გამოჩენა და ასევე უცნაური გაუჩინარება; მანამ კი აღწერილია თინათინის გამეფების ცერემონია და ნადირობის სცენა. კ. გ. უმთავრესად ეპიკურ და დრამ. თხზულებას ახასიათებს. *ს. გაჩეჩილაძე.*

კვანძის გახსნა, სიუჟეტის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მომენტი, რ-შიც დასრულებულია ნაწარმოების ძირითადი ამბავი. კ. გ. დამახასიათებელია მეტწილად ეპიკური და დრამ. ნაწარმოებისათვის. ხშირად კ. გ-ს მოჰყვება ფინალი და მთავრდება სიუჟეტის განვითარებაც; ზოგჯერ კი სიუჟეტი გრძელდება, მაგრამ განვითარების ტემპი რამდენადმე შენელებულია. ვეფხისტყაოსანში კ. გ-ა ტყვეობიდან ნესტანის განთავისუფლება. მომდევნო ეპიზოდებს ძირითად ამბავთან პირდაპირი დამოკიდებულება აღარა აქვთ. *ს. გაჩეჩილაძე.*

კვანჭიანარი, სოფელი მესტიის რ-ნში (ლატალის სოფსაბჭო), მდ. ენგურის ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, მესტიიდან 11 *კმ*. მესტიის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. ლატალის საშ. სკოლა სოფ. იენაშში (2,5 *კმ*).

კვანჭილაშვილი ტარიელ სოლომონის ძე (დ. 25. XII. 1920, სოფ. შრომა, ახლანდ. ლაგოდეხის რ-ნი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. სკკპ წევრი 1942-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. (1949). ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1967). მუშაობს თსუ-ის უახლესი ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრაზე. პირველი ნაშრომი 1950 გამოაქვეყნა. პირველი წიგნი—მონოგრაფია „ლეო ქიაჩელი“ — 1955. ავტორია წიგნებისა „ლიტერატურული წერილები“ (1959), „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“, „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები“ (1970), „ლიტერატურული წერილები და პორტრეტები“ (1974), „ლიტერატურა და ცხოვრება“ (1976), „პარტია და ლიტერატურა“ (1979) და სხვ.

კვანჯუ, ქალაქი სამხრ. კორეაში, ჩოლანამდოს პროვ. ადმ. ცენტრი. 494 ათ. მცხ. (1970). სატრანსპ. კვანძი. სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. საფეიქრო მრეწველობა.

კვარაცხელია ლევან უჩარდიას ძე (დ. და გ. წწ. უცნობია), სამეგრელოს 1857 გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. ხელმძღვანელობდა წალენჯიხაში აჯანყებულ გლეხთა ლაშქარს. 1858 გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში.

ლიტ.: ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა დ., გლეხთა აჯანყება სამეგრელოში. 1856—1857, თბ., 1957.

კვარაცხელია ტარასი ყარამანის ძე [10 (23). IV. 1889, სოფ. ნაკიფუ, ახლანდ. წალენჯიხის რ-ნი, — 27. VIII. 1951, თბილისი], ქართველი საბჭ. აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1946), საქ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), ვ. ი. ლენინის სახ. სას.-სამ. მეცნ. საკავშ. აკად. აკადემიკოსი (1948), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1925 დაამთავრა თსუ-ის აგრონ. ფაკ-ტი. იკვლევდა სუბტროპ. კულტურების დიფერენცირებული აგროტექნიკის, ნიადაგის ეროზიის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. შეისწავლა და გამოავლინა სუბტროპ. კულტურების ახ. რ-ნები; დაადგინა, რომ კონტინენტური სრულასაკოვანი ხეხილის ფესვთა სისტემა იკავებს რიგთშორისეების მთელ ფართობს, სილრმეში კი აქტ. ფესვების უმეტესი ნაწილი საშუალოდ 30 *სმ*-ზე ღრმად არ ვრცელდება. ამ გამოკვლევების საფუძველზე დამუშავდა ბაღის გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა. აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო. მისი თანაავტორობით არის გამოცემული შრომა „მესაიეობა“ (1950), რ-იც თარგმნილია რუს. და ჩინ. ენებზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: მანდარინის ბაღის მოვლა, ტფ., 1925; ნიადაგის გადარეცხვა და წალეკვა ჩაის პლანტაციებზე, ტფ., 1933; ჩაის ბუჩქი და მისი თანამგზავრი კულტურები, ტფ., 1936.

ბიბლ.: ტარასი კვარაცხელია. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ნ. ბალადურია, ი. დუდუჩავა, თბ., 1980. *გ. თოდუა.*

კვარენგი, გ ვ ა რ ე ნ გ ი (იტალ. კ უ ა რ ე ნ გ ი, Quarenghi) ჯაკომო [20 ან 21. IX. 1744, ვალე-იმანნია, ბერგამოს მახლობლად, იტალია, — 18. II (2. III). 1817, პეტერბურგი], არქიტექტორი. XVIII ს. დასასრ. — XIX ს. დასაწყ. რუს. კლასიციზმის წარმომადგენელი. წარმოშობით იტალიელი. 1761-იდან ფერწერას სწავლობდა რომში, შეისწავლა ანტ. არქიტექტურა, პალადიოს შემოქმედება. 1780-იდან მუშაობდა რუსეთში. კ-ს პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარია პეტერგოფის ინგლ. სასახლე (ახლანდ. პეტროდვორეცი; 1781—94; დროთანადან დაანგრიეს გერმ. ფაშისტებმა 1942). უმთავრესი ნამუშევრებია: მეცნ. აკად. (1783—89), სასაიგნაციო ბანკის (1783—90), ერმიტაჟის თეატრის (1783—1787), ობუხოვის საავადმყოფოს (1782—87, გადაკეთებულია) და სხვ. შენობები — ყველა ლენინგრადში; ალექსანდრეს სასახლე (1792—96) ცარსკოე-სელოში (ახლანდ. ქ. პუშკინი). კ-ს ეკუთვნის ძვ. და ახ. რუს. ხუროთმოძღვრული ძეგლების ჩანახატები. გამოსცა თავისი პროექტების (ერმიტაჟის თეატრი, სასაიგნაციო ბანკი) გრავირებული ალბომები (1787 და 1791) და თავისივე პროექტების კრებულის I ტომი (1810).

ლიტ.: Г р и м м Г. Г., Кваренги, Л., 1962; Т а л е п о р о в с к и й В. Н., Кваренги, Л.— М., 1954.

კვართი, 1. სამოსელი. 2. ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდელმსახურების დროს მედავითნის, დიაკვნის, მღვდლისა და ეპისკოპოსის ჩასაცმელი. ეწოდება აგრეთვე ს ტ ი ხ ა რ ი. მიჩნეულია ქრისტეს სამოსლის სიმბოლურ გამოხატულებად. 3. ქრისტეს სამოსელი — „კვართი საუფლო“— საქართველოში ითვლებოდა სვეტიცხოვლის ტაძრის ერთ-ერთ მთავარ სიწმინდედ, რ-იც, თქმულების მიხედვით, გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ იერუსალიმიდან ჩამოიტანეს მცხეთელმა ებრაელებმა. გადმოცემით, კ. დამარხულია მიწაში, სვეტის („სვეტიცხოვლის“) ქვეშ. ეს ლეგენდა ძვ. ქართ. საისტორიო თხზულებებში შესულია სხვადასხვა ვარიანტით. XII ს-ში ნიკოლოზ გულაბერიძემ ქრისტეს კ-ს შრომა მიუძღვნა. *ბ. ლომინაძე.*

კვარიათი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (გონიოს სოფსაბჭო), კახაბრის ვაკეზე, მდ. კვარიათის ნაპირებზე. ზ. დ. 10 *მ*, ხელვაჩაურიდან 17 *კმ*. გონიოს კოლ-ბა (მეციტრუსეობა, მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. გონიოში (2 *კმ*).

კვარის ციხე, ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრე საქართველოში, რაჭაში, მდ. კრიხულის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ზემო სხვავიდან 1,5 *კმ* დაშორებით (ამბროლაურის რ-ნი). ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI ს-ში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში სამეფო სამფლობელო იყო. XVI ს. 90-იან წლებში დაეუფლა ქართლის მეფე სიმონ I, XVIII ს. დასაწყისში — იაშვილთა ფეოდ. საგვარეულო. 1769-იდან კვლავ სამეფო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. 1786 კ. C-ს თავს აფარებდა იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მოწინააღმდეგე ბატონიშვილი დავით არჩილის ძე (მეფობაში სოლომონ II). 1802 კ. C-ში თავი მოჰკვეთეს ახალციხის ფაშას საბუდს. 1810, იმერეთის სამეფოს რუს. იმპერიასთან შეერთების დროს, კ. C. გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ დანებდა რუს. ჯარს. შემდეგ ხანებში კ. C-მ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

კ. C. ტიპური ციხე-დარბაზია. გარს უვლის 6—7 *მ* სიმაღლის გალავანი. საერთო ფართობი დაახლ. 2000 *მ*². შესასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს. გალავნის შიგნით შემორჩენილია ორსართულიანი მრგვალი საცხოვრ. კოშკი, მცირე ზომის ეკლესია, აუზი და სხვ. შენობათა ნანგრევები.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *თ. ბერაძე.*

ტ. კვარაცხელია.

კვარკები, ჰიპოთეზური სუბნაწილაკები, რ-ებისგანაც, როგორც ვარაუდობენ, შეიძლება შედგებოდეს ძლიერ ურთიერთქმედებაში მონაწილე ყველა ცნობილი *ელემენტარული ნაწილაკი*. უკანასკნელ დღეებამდე აღმოჩენილი ყველა ჰადრონი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სამი *q*-კ-გან (u, d, s) შემდგარი; აქედან ორი კ. (u, d) შეესაბამება ელემენტარულ იზოტოპურ სპინს, ხოლო ერთი (*s*) — უცნაურობას. კ-ს აქვს ჩვეულებრივი ჰადრონული ნაწილაკების თვისებები, გარდა იმისა, რომ მათი ელექტრული და ბარიონული მუხტები წილადურია:

$$Q_u = +^2/_3,\ Q_d = Q_s = -^1/_3,\ B_u = B_d = B_s = ^1/_3.$$

კვარკული თეორიის შემდგომმა განვითარებამ აუცილებელი გახადა კ-ის ერთი ჯგუფის მაგივრად სამი ჯგუფის — (u_1, d_1, s_1), (u_2, d_2, s_2), (u_3, d_3, s_3)—შემოტანა; ეს ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ახ. კვანტური რიცხვის (მუხტის) მნიშვნელობებით. ამ კვანტურ რიცხვს „ფერს“ უწოდებენ და ამის შესაბამისად ლაპარაკობენ „წითელ“, „ყვითელ“ და „ლურჯ“ კ-ზე, რ-თაგანაც აგებულია ჩვეულებრივი „თეთრი“ ჰაორონები. 1974—76 აღმოაჩინეს ელემენტარული ნაწილაკების ახ. ჯგუფი: ψ- და D-მეზონები. მათი თვისებების არაწინააღმდეგობრივი აღწერა, როგორც ჩანს, მოითხოვს ახ. კვანტური რიცხვის, რ-საც მომხიბლაობას უწოდებენ, და მის შესაბამისად, მეოთხე, c კვარკის (ფერის სამი ნაირსახეობით c_1, c_2, c_3) შემოტანას.

დღეისათვის (1979) კ. თავისუფალ მდგომარეობაში აღმოჩენილი არ არის, თუმცა ლეპტონ-ჰადრონულ პროცესებში მაღალი ენერგიების დროს მიმდინარე მრავალი ეფექტი დამაჯერებლად მეტყველებს მათს არსებობაზე ჰადრონული მატერიის შიგნით.

ლიტ.: К о к к е д э Я., Теория кварков, пер. [с англ.], М., 1971. *ჯ. ჩქარეული.*

ჯ. კვარენგი.



ჯ. კ ვ ა რ ე ნ გ ი. სასაიგნაციო ბანკის შენობა (ახლა ნ. ვოზნესენსკის სახ. ლენინგრადის ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტი). ლენინგრადი. 1783—90.

კვარტა (ლათ. quarta — მეოთხედი) მ უ ს ი კ ა შ ი, ინტერვალი, მანძილი რომელიმე ბგერასა და მე-4 (მოცემული ბგე-



კვარის ციხე. XI—XIII სს.



კვარცი. კრისტალების ფორმა.

ვ. კვაჭანტირაძე.



კვარცის საათის ბლოკ-სქემა.

რიდან ზემოთ ან ქვემოთ) საფეხურს შორის.

კვარტალი ტყისა, ტყის ნაწილი, რ-იც შემოსაზღვრულია განაკაფით ან ბუნებრივი ზღუდეებით (მდინარე და სხვ.). განასხვავებენ ბუნებრივ, ხელოვნურ და შერეულ კვარტალს. სიდიდის მხრივ კვარტალი შეიძლება იყოს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულ ჰა-მდე. ეს დამოკიდებულია სატაქსაციო სამუშაოების თანრიგზე. ტყის მასივში კვარტალებს ნომრავენ ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ.

კვარტეტი (იტალ. quartetto<ლათ. quartus — მეოთხე), მუსიკალური ანსამბლი, რ-შიც ოთხი შემსრულებელია; აგრეთვე მუს. ნაწარმოები ამ ანსამბლისათვის.

კვარტოლი (<ლათ. quartus—მეოთხე) მ უ ს ი კ ა შ ი, უთანაბრო დაყოფა. 4 ნოტისაგან შემდგარი განსაკუთრებული მეტრორიტმული ფიგურა, რ-იც ეთანაბრება იმავე გრძლივობის 3 ნოტს. იხ. *რიტმული დაყოფა.*

კვარტსექსტაკორდი (მუს.), სამხმოვანების ერთ-ერთი შებრუნება.

კვარჩხილალი, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ძველი სენაკის სოფსაბჭო), მდ. კვარჩხილალის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირებზე. ზ. დ. 200 *მ*, ცხაკაიადან 10 *კმ*. ძვ. სენაკის მეღორეობის სანაშენე საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ძველ სენაკში (2 *კმ*). კ-ში არის კარსტული მღვიმე.

კვარცი (გერმ. Quarz), ჟანგეულთა კლასის მინერალი. არსებობს ორი კრისტალური მოდიფიკაციის კ.: ჰ ე ქ ს ა გ ო ნ უ რ ი კ. (ანუ α-კ.), რ-იც მდგრადია 1 *ატმ* წნევისას 870—573°C ტემპ-რულ ინტერვალში, და ტ რ ი გ ო ნ უ რ ი კ. (ანუ β-კ.), რ-იც მდგრადია 573°C-ზე დაბალ ტემპ-რაზე. ბუნებაში გავრცელებულია β-კ. კ-ის კრისტალებს, ჩვეულებრივ, პრიზმული იერი აქვს, იშვიათად — ბიპირამიდული. კ-ის კრისტალების, მარცვლებისა და აგრეგატების ფერი მეტად ცვალებადია. ჩვეულებრივ, უფერო და გამჭვირვალე, თეთრი ან ნაცრისფერია. კრისტალების ფერის მიხედვით კ-ს სხვადასხვა სახელი აქვს: უფეროსა და გამჭვირვალეს ჰქვია მ თ ი ს ბ რ ო ლ ი, იისფერს — ა მ ე თ ვ ი ს ტ ო, ბოლის ფერს — რ ა უ ხ ტ ო პ ა ზ ი, შავს — მ ო რ ი ო ნ ი, ყვითელს—ც ი ტ რ ი ნ ი. აქტინოლითისა და ქლორიტის ჩანართები იძლევა მწვანე ფერის სახესხვაობას — პ რ ა ზ ე მ ს, ქარსისა და ჰემატიტისა — ოქროსფრად მოციმციმე ა ვ ა ნ ტ ი უ რ ი ნ ს. კ-ის ფარულკრისტალური სახესხვაობანი — *აქატი* და *ქალცედონი* — ბოჭკოვანი აგებულებისაა.

კ-ს აქვს პიეზოელექტრული თვისებები. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 7, სიმკვრივე 2650 *კგ/მ*³.

კ. მეტად გავრცელებული მინერალია. წარმოიქმნება მაგმური, პეგმატიტური, ჰიდროთერმული და დანალექი გზით. დამუშავებულია კ-ის ხელოვნურად მიღების სამრეწვ. ტექნოლოგია. კ-ის ქვიშა და *კვარციტი* კერამიკისა და მინის წარმოების ძირითადი ნედლეულია, მონოკრისტ. კ-ს იყენებენ რადიოტექნიკაში, ოპტ. ხელსაწყოთმშენებლობაში; ნალღობ კ-ს — ქიმ. ჭურჭლის დასამზადებლად. კ-ისგან იღებენ Si-ს. კ-ის გამჭვირვალე, ფერადი სახეობანი, აგრეთვე აქატი, ო ნ ი ქ ს ი, ს ა რ დ ი ო ნ ი და სხვ. ნახევრადძვირფასი ქვებია.

კ-ის დიდი საბადოებია სსრკ-ში ურალზე, უკრაინაში, პამირსა და მდ. ალდანის აუზში; საქართველოში მთის ბროლი არის ხდის ხეობაში (ყაზბეგის რ-ნი) და შოდა-კედელას ქედზე (ონის რ-ნი), კ-ის ქვიშა — სურამის, ჭიათურის, ორჯონიკიძის მიდამოებში, კვარციტები — ბოლნისის რ-ნში, ქალცედონი და აქატი — ახალციხისა და კასპის რ-ნებში. საზღვარგარეთ კ-ის ცნობილი საბადოებია ბრაზილიაში, მადაგასკარზე და სხვ.

კვარციანი გენერატორი, მაღალი სიხშირის ელექტრული რხევების მისაღები მცირე სიმძლავრის თვითაგზნებადი გენერატორი, რ-შიც რეზონანსულ კონტურად გამოყენებულია კვარცის რეზონატორი — კვარცის კრისტალიდან გარკვეული წესით ამოჭრილი ფირფიტა, რგოლი ან ძელაკი.

რადიოკავშირგაბმულობაში, რადიონავიგაციაში და ა. შ. ზოგჯერ საკმარისი არ არის ჩვეულებრივი თვითაგზნებადი გენერატორების რხევათა სიხშირის სტაბილურობა. გენერატორის რხევითი სიხშირის შეცვლას იწვევს სხვადასხვა ფაქტორი: რხევითი კონტურის ვარგისობა (უმეტესად), კვების წყაროს არასტაბილურობა, ტემპ-რის ცვლილება და სხვ.; ჩვეულებრივ გენერატორებში რხევითი კონტურის ვარგისობაა 10^2. ვარგისობა 10^4—10^5-მდე გაიზრდება, თუ რხევით კონტურად კვარცის რეზონატორს გამოვიყენებთ.

კვარცის ფირფიტის დეფორმაციის დროს მის ზედაპირზე წარმოიქმნება ელექტრული მუხტები, რ-თა სიდიდესა და ნიშანს დეფორმაციის სიდიდე და მიმართულება განსაზღვრავს. მუხტები იწვევს ფირფიტის მექან. დეფორმაციას (იხ. *პიეზოელექტრობა*), რის შედეგად კვარცის ფირფიტის მექან. რხევას თან სდევს მის ზედაპირზე ელექტრული მუხტების სინქრონული რხევა და პირიქით. კ. გ-ის რხევათა სიხშირეს (რამდენიმე *კჰც*-იდან რამდენიმე ათეულ *მეგაჰც*-მდე) განსაზღვრავს კვარცის რეზონატორის ზომა, დრეკადობა და სხვ.

სქემაში ჩასართველად კვარცის ფირფიტას გვერდებზე ვერცხლი (ელექტროდები) აქვს დაფენილი ან იგი მოთავსებულია სპეც. დამჭერში, რ-იც კონდენსატორის შემონაფენებისაგან შედგება. მაღალი ვარგისობისათვის (10^5) რეზონატორს ვაკუუმში ათავსებენ და უნარჩუნებენ მუდმივ ტემპ-რას 0,001°C-მდე სიზუსტით.

კ. გ-ის სიმძლავრე არ აღემატება რამდენიმე *ვტ*. უფრო დიდი სიმძლავრის დროს კვარცის რეზონატორი ირღვევა მასში წარმოქმნილი მექან. გადამეტძაბვის გამო.

რხევათა სიხშირის შემდგომი გარდაქმნის შემდეგ კ. გ-ის გამოყენება შეიძლება დროის გასაზომად (კვარცის საათი, კვანტური საათი) და სიხშირის სტანდარტად.

ქ. ხომასურიძე.

კვარცის საათი, დროის შემნახავი, აღმრიცხველი და დროის შუალედების გამზომი ხელსაწყო, რ-ის ზუსტი მუშაობა უზრუნველყოფილია კვარცის კრისტალის პიეზოელექტრული თვისებებით. კ. ს. მუშაობს *კვარციანი გენერატორის* მეშვეობით. მისი სვლის სიზუსტეს განაპირობებს კვარციანი რეზონატორის რხევის სიხშირის მუდმივობა (სტაბილურობა) და ვარგისობა და იგი 10^{-7}—10^{-5} *წმ/დღ-ღ*. ვინაიდან კვარციანი პრეციზიული რეზონატორის სიხშირე ν დამოკიდებულია ტემპ-რაზე $\left(\frac{\Delta\nu}{\nu} \leqslant 10^{-8}\ 1°C\text{-ზე}\right)$, ამიტომ მას ათავსებენ თერმოსტატში, რ-შიც ტემპ-რის ცვლა $\leqslant 10^{-3}$°C.

კ. ს-ს აქვს რხევის სიხშირის გარდამქმნელები (სიხშირის გამყოფები და მამრავლები), სინქრონული ძრავა, რ-იც ამუშავებს საათის ისრებს ან ციფრულ მოწყობილობას, და ზუსტი დროის სიგნალების გადასაცემი კონტაქტური მოწყობილობა (იხ. სქემა). კ. ს. აღჭურვილია აგრეთვე ისეთი მოწყობილობით, რ-იც იძლევა გაზომვისათვის საჭირო სტანდ. სიხშირეთა ნაკრებს. დროის სამსახურებში ერთდროულად იყენებენ 2 ან 3 კ. ს-ს, რ-თა სიხშირეებს ადარებენ ერთმანეთს, აგრეთვე *სიხშირეთა კვანტურ სტანდარტებსა* და ასტრონ. დაკვირვებების შედეგებს.

კვარციტი, მეტამორფული ქანი. შედგება *კვარცის* უწვრილესი მარცვლებისაგან. წარმოიქმნება რეგიონული მეტამორფიზმის დროს კვარციანი ქვიშაქვების გადაკრისტალების შედეგად. კ-ს უწოდებენ მასიურ კვარციან ქვიშაქვებსაც და ზოგჯერ გამოფიტვის ქერქში მეტასომატურად წარმოქმნილ კვარციან მარცვლოვან ქანებსაც (პ ი პ ე რ გ ე ნ უ ლ ი კ.). განარჩევენ აგრეთვე მყავე და საშ. ეფუზიური ქანებისა და მათი ტუფების, იშვიათად მყავე ინტრუზიული ქანების, ჰიდროთერმულ-მეტასომატური გზით გარდაქმნის შედეგად წარმოქმნილ მ ე ო რ ე უ ლ კ-ებს. კ. კარგი სამშენებლო და მუავაგამძლე მასალაა, იყენებენ ნედლეულად ცეცხლგამძლე აგურისა და მინის წარმოებაში, აგრეთვე მეტალურგიაში.

კვარცხლბეკი, ქანდაკების (ფიგურის, ფიგურათა ჯგუფის, ბიუსტის), ლარნაკის, სვეტის, ობელისკის და ა. შ. დასადგმელი ამაღლებული საფუძველი. შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის. კ-ს ხშირად სკულპტურული რელიეფებითაც რთავენ.

კვარხითი, სოფელი გორის რ-ნში (მეჯვრისხევის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 710 *მ*, გორიდან 14 *კმ*. ზერტის კოლ-ბა (მეხილეობა). რვაწლ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ზერტში (3 *კმ*).

კვატერნიონი (ლათ. quaterni — ოთხ-ოთხად), რიცხვთა სისტემა. შემოიღო ინგლ. მეცნიერმა უ. ჰამილტონმა 1843. იხ. *ჰიპერკომპლექსური რიცხვი.*

კვატია, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (სხალთის სოფსაბჭო), მდ. სხალთის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, ხულოდან 30 *კმ*. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კვატროჩენტო (იტალ. quattrocento, სიტყვასიტყვით — ოთხასი), XV საუკუნის სახელწოდება იტალიურ ენაზე. ხელოვნებათმცოდნეობაში ტერმინი „კ." აღნიშნავს იტალ. ადრინდ. რენესანსის პერიოდს. კ-ს ხელოვნებას ახასიათებს სამყაროს აღქმის პოეტური უშუალობა, რეალური სამყაროს გამოხატვის ახლებური, მეცნიერულად გაზრებული საშუალებების ძიება, შემოქმედებით ინდივიდუალობათა და მხატვრული სკოლების მრავალფეროვნება. ახალი, რენესანსული, მხატვრული ფორმების ჩამოყალიბებაში კ-ს ეპოქაში წამყვანი როლი შეასრულეს ფ. *ბრუნელესკიმ* და ლ. ბ. ალბერტიმ არქიტექტურაში, *გიბერტიმ, დონატელომ, ვეროკიომ* ქანდაკებაში, *მაზაჩიომ, პიერო დელა ფრანჩესკამ, მანტენიამ, ჯოვანი ბელინიმ, ბოტიჩელიმ, გირლანდაიომ* და სხვ. ფერწერაში.

კვაუთი, სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ლეძაძამეს სოფსაბჭო), მდ. ტეხურის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 160 *მ*, ცხაკაიადან 23 *კმ*. ლეძაძამეს მ. ცხაკაიას სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ლეძაძამეში (3 *კმ*). ვ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში.

კვაშტა, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (ზვარის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ*, ქედიდან 8 *კმ*. ზვარის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეჩაიეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კვაშხითი, სოფელი ონის რ-ნში, მდ. ხეორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ბოყვა, ზვარეთი, ზუდალი, ქორთა, შრომისუბანი, ხეითი). ზ. დ. 960 *მ*, ონიდან 9 *კმ*. შეუბნის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ონში. კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელი წყაროებში პირველად

მოხსენიებულია XV ს-ში. Კ-ში გაითხარა გვიანდ. ანტ. ხანის სამარხი.

ᲙᲕᲐᲪᲮᲣᲗᲘ, სოფელი ამბროლაურის რ-ნში, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს, ქუთაის — ონის საავტ. გზაზე. ხიდიკრის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ხიმში). ზ. დ. 900 *მ*, ამბროლაურიდან 3 *კმ*. ხიდიკრის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, *კულტსახლი* (კინოდანადგარი), მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა. კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ᲙᲕᲐᲭᲐᲚᲐᲗᲘ, სოფელი მახარაძის რ-ნში (ლიხაურის სოფსაბჭო), მდ. აჭისწყლის ნაპირებზე. ზ. დ. 140 *მ*, მახარაძიდან 6 *კმ*. ლიხაურის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა.

ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ ვასილ შალვას ძე (15. I. 1909, სოფ. კონჭკათი, ახლანდ. მახარაძის რ-ნი,—9. II. 1950, სოფ. გურიანთა, მახარაძის რ-ნი), საბჭ. კავშირის გმირი (4. IV. 1945), ზემდეგი, სნაიპერი. სკკპ წევრი 1939-იდან. დიდი სამამულო ომის (1941 — 45) დროს იბრძოდა სტალინგრადთან, ქერჩში; მონაწილეობდა ბელორუს., ლიტვ. და ლატვ. განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მოსპო მტრის 542 ოფიცერი და ჯარისკაცი. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ გიორგი ალექსის ძე [დ. 28. II (12. III). 1909, ქ. ჭიათურა], ქართველი საბჭ. აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი და პროფესორი (1961), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1939-იდან. 1931 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონ. ფაკ-ტი. 1934—46 საქართვ. მემინდვრეობის ინ-ტის დირექტორი იყო, 1955-იდან საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მებოსტნეობის კათედრის გამგეა. Კ-მ დაამუშავა ბოსტნეული კულტურების დამულჩვის წესი, თბილ. საგარეუბნო ზონაში შემოდგომაზე დარგული კომბოსტოს და დათესილი ხახვის აგროტექნიკა, დაადგინა შემოდგომა-ზამთრის ბოსტნის კულტურათა ასორტიმენტი და სხვ. გამოცემულია Კ-ის „მებოსტნეობის სახელმძღვანელო" (1959, 1965), მისი თანაავტორობით—„სოფლის მეურნეობის საფუძვლები" და „ხილბოსტნეულის ჯიშთმცოდნეობა". დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით. *გ. თოდუა.*

ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ იროდი სიოს ძე (დ. 21. XII. 1913, სოფ. მაჩხვარეთი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი), ქართველი საბჭ. ვეტექიმი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1938 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. 1946-იდან ამავე ინ-ტის სას.-სამ. ცხოველთა ანატომიის კათედრის გამგეა. იკვლევს სას.-სამ., სამრეწვ.-ბეწვიანი და ლაბორ. ძუძუმწოვარი ცხოველების პერიფერიული ნერვული სისტემის შედარებითი ანატომიის საკითხებს. მისი თანაავტორობით გამოცემულია უმაღლესი და საშ. სპეც. სასწავლებლების სახელმძღვანელოები (შინაურ ცხოველთა ანატომია, თბ., 1972, სას.-სამ. ცხოველთა ანატომია და ფიზიოლოგია, თბ., 1973). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. *კ. კაპანაძე.*

ᲙᲕᲐᲮᲐᲯᲔᲚᲔᲗᲘ, სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოში (ხვაშითის სოფსაბჭო), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 800 *მ*, ჭიათურიდან 18 *კმ*. ზოდის კოლ-ბა (მემინდვრეობა). საშ. სკოლა სოფ. ზედუბანში (2,5 *კმ*).

ᲙᲕᲐᲮᲩᲘᲠᲘ, სოფელი თერჯოლის რ-ნში, იმერეთის დაბლობზე, მდ. წყალწითელის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ოდილაური, სარბევი). ზ. დ. 130 *მ*, თერჯოლიდან 35 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. კვახჭირის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), დიდების მუზეუმი, მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. მარმარილოს კარიერი. კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII ს-ში.

ᲙᲕᲔᲑᲐ, ორგანიზმის მიერ ისეთი საკვები ნივთიერებების მიღებისა და ათვისების პროცესი, რ-ებიც აუცილებელია მისი ენერგეტიკული და პლასტიკური დანახარჯების დასაფარავად, ქსოვილების ზრდის, აღდგენისა და ფუნქციების სარეგულაციოდ. კ. *ნივთიერებათა ცვლის* მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მეცნიერება კ-ზე მოიცავს ადამიანის, გარეული და სას.-სამ. ცხოველების ფიზიოლ. მრავალ საკითხს.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ Კ. ცხოველთა ცალკეულ სახეობებს შორის კვებითი დამოკიდებულება ნივთიერებათა ბიოგენური წრებრუნვის საფუძველია, იგი აკავშირებს მათ თანასაზ-ებებად, წარმოადგენს ორგანიზმთა რაოდენობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგულატორს და გარემოსთან ცხოველთა კავშირის ძირითად ფორმას. განარჩევენ ᲔᲜᲓᲝᲒᲔᲜᲣᲠ Კ-ს — ორგანიზმში არსებულ საკვებ ნივთიერებათა მარაგის ხარჯზე (მაგ., შიმშილის, ძილქუშის დროს), და ᲔᲥᲡᲝᲒᲔᲜᲣᲠ Კ-ს — გარემოდან ორგანიზმში მოხვედრილი საკვების ხარჯზე, რ-იც შემდეგ ქსოვილებისა და ორგანოების ზრდას ხმარდება. კ. აუცილებელია ცხოველმოქმედების ყველა პროცესის წარმართვისათვის. შეზღუდული ან არასრულფასოვანი კ. აქვეითებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს სიცივისა და ინფექციისადმი, არღვევს გამრავლებასთან დაკავშირებულ ფიზიოლ. პროცესებს და ზოგჯერ თვით გამრავლების შეწყვეტასაც იწვევს. კ-ის პროცესს პირობით ყოფენ საკვების მოპოვების, *საჭმლის მონელების*, შეწოვის და *ასიმილაციის* ფაზებად. ერთუჯრედიანი ცხოველების (*უმარტივესნი*) კ. სხვადასხვა გზით ხდება, მრავალი მათგანი საკვებს აქტიურად შთანთქავს (*ფაგოციტოზი*), ხოლო ზოგი (უმთავრესად პარაზიტები, მაგ., ტრიპანოსომები) საკვებით მდიდარ გარემოში ოსმოსურად იკვებება. კ-ის ხასიათის მიხედვით ცხოველებს ყოფენ ᲔᲕᲠᲘᲤᲐᲒᲔᲑᲐᲓ ანუ ᲞᲐᲜᲢᲝᲤᲐᲒᲔᲑᲐᲓ, რ-ებიც იკვებებიან მრავალფეროვანი საკვებით (ნაირჭამიები), და ᲡᲢᲔᲜᲝᲤᲐᲒᲔᲑᲐᲓ, რ-ებიც იკვებებიან განსაზღვრული საკვები ნივთიერებებით (ოლიგოფაგია) ან მხოლოდ ერთი სახის საკვებით (*მონოფაგია*). ინდივიდ. განვითარების პროცესში უპირობო რეფლექსების საფუძველზე აღმოცენდება სხვადასხვა კვებითი *პირობითი რეფლექსი*. კ. იცვლება სეზონის მიხედვით; მასთან არის დაკავშირებული მიგრაციები, გამრავლება და, მაშასადამე, ცხოველთა რაოდენობის მატება. იხ. აგრეთვე *საკვები, კვება სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა.*

რ. ავალიანი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ Კ. გარემოს ერთ-ერთი ფაქტორია, რ-იც არსებით გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობაზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ჯანმრთელი ადამიანის რაციონალური კ-ის საფუძველს შეისწავლის კ-ის ჰიგიენა (იხ. *ჰიგიენა კვებისა*), ავადმყოფთა კ-ს — *დიეტოლოგია.*

მოზრდილ ადამიანს საშ. დატვირთვის სამუშაოს შესრულებისას დღე-ღამეში სჭირდება დაახლ. 3000 *კ.კალ* (ქალებს 10—15%-ით ნაკლები, ვიდრე მამაკაცებს, რადგან მათი წონა საშ. 10—15%-ით ჩამორჩება მამაკაცებისას).

ადამიანის საკვები უნდა იყოს ყუათიანი, ჰქონდეს საკმაო მასა და სასიამოვნო გემო, რომ საგემოვნო კმაყოფილების გარდა უზრუნველყოს ის ბიოლ.-ფიზიოლ. მოთხოვნები, რ-ებიც ორგანიზმის ასაკობრივ, საყოფაცხოვრებო, შრომით, სპორტ. და სხვა თავისებურებებთანაა დაკავშირებული. რაციონალური კ-სთვის აუცილებელია საკვები კომპონენტების (ცილა, ამინომჟავები, ცხიმოვანი მჟავები, ფოსფატიდები, სტერინები, ცხიმი, შაქარი, ვიტამინები, მინერ. მარილები, ორგ. მჟავები და სხვ.) ოპტიმალური თანაფარდობა ანუ დაბალანსება. ადამიანის კ-ში წამყვანი როლი ეკუთვნის *ცილებს*. ცილები შედის ყველა ცოცხალი ქსოვილის უჯრედის შედგენილობაში და წარმოადგენს სამშენებლო-პლასტ. მასალას, რ-საც ორგანიზმი ორგანოთა განახლებისათვის იყენებს; *ცხიმები* არა მარტო ენერგეტიკული, არამედ ნაწილობრივ სამშენებლო მასალაცაა; *ნახშირწყლები* ორგანიზმში ენერგეტ. ფუნქციას ასრულებს; *მინერალური მარილები* მნიშვნელოვან როლს თამაშობს ძვლოვანი ანუ საყრდენი სისტემის განვითარებაში, *ტუტე-მჟავური წონასწორობის* დაცვაში; *მიკროელემენტები* და *ვიტამინები* ნივთიერებათა ცვლაში მონაწილეობენ და რეგულატორულ ფუნქციებს ასრულებენ. რაციონალური კ-ის ნორმები ცალკეული საკვები კომპონენტისათვის სხეულის 1 *კგ* წონაზე შემდეგნაირად ნაწილდება: ცილა — 1,5 *გ*, ცხიმი — 1,5 *გ*, ნახშირწყლე-

ᲪᲮᲠ. 1. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲦᲔ-ᲓᲐᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ (ᲙᲐᲚᲝᲠᲘᲔᲑᲨᲘ) ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲡᲡᲠ-ᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲠᲛᲘᲗᲘᲗ)

	ასაკი	კალორიები კ. კალ.	ცილები გ		ცხიმები გ		ნახშირწყლები გ
			სულ	გ. ᲗᲘ. მცენარეული	სულ	გ. ᲗᲘ. მცენარეული	
I ჯგ. — პირნი, რ-თა საქმიანობა არ არის დაკავშირებული ფიზ. დატვირთვასთან.	18 — 40	2800	96	58	90	27	382
	40 — 60	2600	89	53	81	25	355
II ჯგ.—პირნი, რ-ნიც ასრულებენ მექანიზებულ სამუშაოს და არა აქვთ დიდი ფიზ. დატვირთვა.	18—40	3000	99	54	97	29	413
	40—60	2800	92	50	91	27	385
III ჯგ.—პირნი, რ-ნიც ასრულებენ მექანიზებულ სამუშაოს და აქვთ მნიშვნელოვანი ფიზ. დატვირთვა.	18—40	3200	102	56	103	31	445
	40—60	2900	93	91	94	28	401
IV ჯგ.—პირნი, რ-ნიც ასრულებენ არამექანიზებულ საშუალო სიმძიმის ან მძიმე სამუშაოს.	18—40	3700	108	54	120	36	522
	40—60	3400	100	50	110	33	480

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐᲗᲕᲘᲡ (*გ* ᲓᲦᲔᲨᲘ)

ასაკი	ცილები		ცხიმები		ნახშირწყლები	კ. კალორიები
	სულ	აქედან ცხოველ.	სულ	აქედან ცხოველ.		
6 თვიდან 1 წლამდე . .	25	25	25	—	113	798
1 — 1,5 წლამდე	48	36	48	—	160	1300
1,5 — 3 წლამდე	53	40	53	5	192	1497
3 — 4 წლისა	63	44	63	8	233	1789
5 — 6 წლისა	72	47	72	11	252	1821
7 — 10 წლისა	80	48	80	15	324	2400
11 — 13 წლისა	96	58	96	18	382	2793
14 — 17 წლის გოგონები	106	64	106	20	422	3151
14 — 17 წლის ვაჟები .	93	56	93	20	367	2751

კვებეკი. ბორცვზე—ოტელი „შატო-ფრონტენაკი" (1889—90, არქიტექტორი ბ. პრეისი; კოშკი — 1923, არქიტექტორები ე. და უ. მაქსუელები).

ბი — 4—6 გ, ანუ 1 : 1 :4. რაციონალური კ-ის რეჟიმი გულისხმობს საკვების მიღებას არა მარტო განსაზღვრული რაოდენობით, არამედ განსაზღვრული ჯერადობითაც (მოზრდილი ადამიანისათვის ოპტიმალურია დღეში 4-ჯერ კ.). პირველ საუზმეზე ადამიანმა უნდა მიიღოს დღიური რაციონის 25%, მეორეზე — 15%, სადილზე — 40%, ვახშამზე — 15—25%. კ-ის რაციონში უნდა შევიდეს ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი. ცილებით მდიდარი საკვების მიღება უმჯობესია დღისით, მცენარეული საკვებისა და რძის ნაწარმისა — ვახშმად. სასმელი წყლის რაოდენობა დღე-ღამეში ზომიერი სარტყლის პირობებში არ უნდა აღემატებოდეს 2—2,5 ლ-ს, ცხელი ჰავისა და მაღალი ტემპ-რის პირობებში (მაგ., ცხელი საამქრო და სხვ.) — 4,1—4,5 ლ-ს.

არასრულყოფილი კ. იწვევს ცალკეული ორგანოსა და სისტემის ფუნქციის მოშლას და ორგანიზმის საერთო დაძაბუნებას. ჭარბი კ. ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის მოშლას, გასუქებას, ათეროსკლეროზის, შაქრიანი დიაბეტის განვითარებას. ვიტამინების უკმარობასთან არის დაკავშირებული ჰიპო- და *ავიტამინოზის* განვითარება. საკვების უკმარისობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ბავშვებზე, აბრკოლებს მათ ფიზ. და ფსიქ. განვითარებას, აქვეითებს სხვადასხვა ინფექციისადმი წინააღმდეგობის უნარს.

ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ქვეყნის მოსახლ. კ-ის მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას. მთელი მსოფლიოს მეცნიერები იძიებენ კაცობრიობის სასურსათო რესურსების გაზრდის, ახ. საკვები პროდუქტების (განსაკუთრებით ცილოვანი) შექმნის, მათი კვებითი ღირებულების ამაღლების, მინერ. მარილებით, ვიტამინებითა და სხვ. ბიოლოგიურად აქტ. ნივთიერებებით გამდიდრების ახ. გზებს.

დიდი ყურადღება ექცევა საზ. კ-ს, რზედაც სახელმწ. კონტროლს აწესებს ჯანდაცვის სამინისტროს ეპიდემიოლოგიური სამსახური.

ლიტ.: კ ა ც ი ტ ა ძ ე ვ., კვების ჰიგიენა, თბ., 1967; Лечебное питание, под ред. И. С. Савощенко, М., 1971; П е т р о в с к и й К. С., Гигиена питания, М., 1975.

ზ. ზურაბაშვილი.

კვება მცენარისა, მცენარის მიერ გარემოდან სიცოცხლისათვის აუცილებელი ქიმიური ელემენტების შთანთქმისა და შეთვისების პროცესი; მოიცავს ნივთიერებათა გადაადგილებას გარემოდან მცენარის უჯრედის ციტოპლაზმაში და მათ გარდაქმნას ამა თუ იმ სახეობის მცენარისათვის დამახასიათებელ ნაერთებად.

მცენარეებში აღმოჩენილ დღემდე ცნობილ ქიმ. ელემენტთაგან მცენარისათვის აუცილებელია ნახშირბადი (C), ჟანგბადი (O), წყალბადი (H), აზოტი (N), ფოსფორი (P), გოგირდი (S), კალიუმი (K), კალციუმი (Ca), მაგნიუმი (Mg), რკინა (Fe), აგრეთვე მიკროელემენტები: ბორი (B), მანგანუმი (Mn), თუთია (Zn), სპილენძი (Cu), *მოლიბდენი* (Mo) და სხვ. მცენარე საკვებ ელემენტებს ითვისებს ჰაერიდან ნახშირორჟანგის (CO_2) სახით, ხოლო ნიადაგიდან — წყლის (H_2O) და მინერ. მარილების იონთა სახით. ამის შესაბამისად უმაღლეს მცენარეებში არჩევენ ჰაერიდან ანუ ფოთლით კვებას (იხ. *ფოტოსინთეზი*) და ნიადაგიდან ანუ ფესვით კვებას (იხ. *მინერალური კვება* მცენარისა). უმდაბლესი მცენარეები (ბაქტერიები, სოკოები, წყალმცენარეები) CO_2-ს, H_2O-სა და მარილებს შთანთქავენ მთელი სხეულის ზედაპირით.

კ ვ ე ბ ი ს ტ ი პ ე ბ ი. შესათვისებელი ნახშირბადის წყაროს მიხედვით განარჩევენ მცენარის კვების რამდენიმე ტიპს. კვებას, როდესაც ნახშირბადის წყაროა ორგ. ნაერთები (სადაც C აღდგენილი ფორმითაა), ჰეტეროტროფულს უწოდებენ (იხ. *ჰეტეროტროფული ორგანიზმები*). ამ ნაერთების დაჟანგვით გამოყოფილი ენერგია ხმარდება სხვა უფრო რთული ნაერთების სინთეზს, ნივთიერებათა გადაადგილებას და სხვ. ასე იკვებება ყველა სოკო, ბაქტერიების უმეტესობა. მკვდარი ორგ. ნარჩენებით კვება საპროფიტული ტიპისაა, ასე იკვებებიან საპროფიტები — ლპობის სოკოები, ბაქტერიები. ზოგიერთი მცენარე სხვა ცოცხალი ორგანიზმის ორგ. ნივთიერებათა ხარჯზე ცხოვრობს — ესენი პარაზიტებია. ზოგჯერ ორი მცენარე გაერთიანებულად ცხოვრობს ისე, რომ მათ შორის მუდმივად ხდება ცხოველმოქმედების პროდუქტების ურთიერთსასარგებლო გაცვლა. ასეთ *თანაცხოვრებას სიმბიოზს* უწოდებენ. მცენარეთა უმეტესობა იკვებება ავტოტროფულად: ისინი ნახშირბადს ითვისებენ ნახშირორჟანგიდან და აღადგენენ ორგ. ნივთიერებებად (იხ. *ავტოტროფული ორგანიზმები*).

ბუნებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნივთიერებათა დიდი ბიოგეოქიმ. წრებრუნვა, რასაც განაპირობებენ მცენარეები: ავტოტროფები (უმთავრესად მწვანე მცენარეები) ატმოსფეროდან ითვისებენ CO_2-ს, ნიადაგიდან — სხვადასხვა მარილს და ქმნიან ქიმ. ენერგიით მდიდარ ორგ. ნივთიერებებს; ჰეტეროტროფები (უმთავრესად საპროფიტები) ორგ. ნარჩენებს შლიან საწყის მინერ. ნივთიერებებად. ფოტოსინთეზის პროცესში, რ-ის ერთ-ერთი პირველადი პროდუქტი შაქარია, ორგ. ნივთიერებათა წარმოქმნასთან ერთად გროვდება ენერგია. სუნთქვის პროცესში ამ ნივთიერებიდან გამოიყოფა ენერგია, რ-იც სხვა პროცესებს, კერძოდ, ნაირგვარ ნივთიერებათა სინთეზს ხმარდება.

მცენარის სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში საკვები ნივთიერებები განუწყვეტლივ მოძრაობს და გარდაქმნება.

საკვებ ნივთიერებათა უკმარისობისას მცენარის ნორმალური ცხოველმოქმედება ირღვევა; ასევეა საკვებ ელემენტთა სიჭარბის დროსაც.

ლიტ.: М а к с и м о в Н. А., Как живет растение, 4 изд., [М., 1966]; С а б и н и н Д. А., Физиологические основы питания растений, М., 1965; Т и м и р я з е в К. А., Жизнь растений, Избр. соч., т. 3, М., 1949.

კვება სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, 1. მეცხოველეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოო პროცესი, რ-ის დროსაც მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საკვებს იყენებენ მეცხოველეობის პროდუქტების მისაღებად. 2. ზოოტექ. ნაწილი, რ-იც შეიმუშავებს სას.-სამ. ცხოველთა კვების რაციონალურ საფუძვლებს, მეთოდებსა და წესებს. ცხოველთა კვების მეცნ. კვლევის პრობლემებია: საზრდო ნივთიერებებზე ცხოველთა მოთხოვნილების შესწავლა, საკვების ყუათიანობის განსაზღვრა, კვების ნორმების დადგენა, საკვები ულუფის შედგენა, კვების ტექ. და ორგანიზაციის შემუშავება. ცხოველთა კვების შესახებ მეცნიერებას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. დასაწყისში. გერმ. მეცნ. ა. თეერმა პირველმა სცადა სას.-სამ. ცხოველთათვის საჭირო საკვების ნორმა გამოეხატა ერთიანი საზომით. გერმანიაშივე ე. ვოლფმა პირველმა შემოიღო საკვების შეფასების სისტემა და ნორმირებული კვება მონელებადი ნივთიერებების მიხედვით. ფრანგმა ფ. მაჟანდიმ (1816) პირველმა მიაქცია ყურადღება ცილის მნიშვნელობას. რუსეთში ა. რუბეცმა ჩაატარა (1872) გამოკვლევები ცხოველთათვის საჭირო მინერ. ნივთიერებების ნორმის შესამუშავებლად. ლუნინმა დაადგინა (1880) ცხოველთა საკვებში იმ ნივთიერებების არსებობა და ოდენობა, რ-ებსაც შემდგომ (1912) ვიტამინები ეწოდა. ცხოველთა კვების საკითხებს იკვლევდნენ აგრეთვე ვ. პაშუტინი, ნ. ჩირვინსკი, ე. ბოგდანოვი, მ. დიაკოვი, ი. პოპოვი, მ. ტომე, პ. დმიტროჩენკო, ნ. დენისოვი, ი. ჯანდიერი, ე. ლისკუნი და სხვ. ო. კელნერმა პირველმა შემოიღო საკვების ყუათიანობის შეფასება სახამებლის ეკვივალენტით, გ. არმსბიმ — თერმებით. სსრკ-ში ე. ბოგდანოვის წინადადებით შემოიღეს საბჭ. საკვები ერთეული. 1933 სხვადასხვა ზონისათვის შეადგინეს საკვების ყუათიანობისა და ქიმ. შედგენილობის ნაკრები ცხრილი. ინ-ტებსა და საცდელ სადგურებში (1930—35) დაადგინეს სას.-სამ. ცხოველთათვის საჭირო საყუათო ნივთიერებების ნორმები. შემდგომში ეს ნორმები დაზუსტდა, დაიხვეწა.

XX ს. 50-იანი წლებიდან მეცნიერება სას.-სამ. ცხოველთა კვების შესახებ მნიშვნელოვნად განვითარდა. გადაისინჯა ცხოველთა კვების ზოგიერთი პრინციპული საკითხი და დამკვიდრდა ახ. პრაქტიკით შემოწმებული დებულებები, რ-თაგან აღსანიშნავია: ცხოველის აზოტოვანი საზრდოობის საკითხი; საკვების აზოტიანობის საზომად ცილის ნაცვლად ნედლი (მონელებადი) პროტეინის შემოღება; საკვების ყუათიანობის განსაზღვრის მეთოდების ნაცვლად წარმოებაში „ენერგეტიკული საკვები ერთეულის დანერგვა", რ-ის საზომია 2500 დ/კ მიმოცვლითი ენერგია; ცხოველის კვების ნორმის ორად (საარსებო და საპროდუქტო) გაყოფის ნაცვლად კვების ერთიანი ნორმის შემოღება, რ-ის ელემენტებია: ენერგეტ. საკვები ერთეული, ნედლი ანუ მონელებადი პროტეინი, შეუცვლელი ამინმჟავები და არაენერგეტ. საზრდო ნივთიერებები (ვიტამინები, სამრეწვ. აზოტნაერთები, მაკრო- და მიკროელემენტები, ბიოსტიმულატორები, ფერმენტული პრეპარატები და სხვ.).

ლიტ.: ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი ს., სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება, თბ., 1956; Б е л е х о в Г. П., Ч у б и н с к а я А. А., Кормление сельскохозяйственных животных, Л., 1970; Д м и т р о ч е н к о П. А., П ш е н и ч н ы й П. Д., Кормление сельскохозяйственных животных, Л., 1964.

ს. ერქომაიშვილი.

კვებეკი (Québec), ქალაქი აღმ. კანადაში. კვებეკის პროვ. ადმ. ცენტრი. 177 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 534 ათ. (1976). დიდი ნავსადგური წმ. ლავრენტის მდინარის შესართავთან. გააქვთ ხე-ტყე, ქაღალდი, მარცვლეული, აზბესტი. მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. განვითარებულია ხე-ტყის სახერხი, ქაღალდის, გემთსაშენი, აგრეთვე ტყავ-ფეხსაცმლის, საფეიქრო, კვების მრეწველობა. უნ-ტი, მუზეუმები. კ. ტურიზმის ცენტრია. ძვ. ქვემო ქალაქში შემორჩენილია XVII ს. — XIX ს. დასაწყ. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ჩრდ. საფრ. ტიპის ქვის სახლები. ზემო ქალაქში XIX—XX სს. ნაგებობებით განაშენიანებული ფართო ქუჩები და პარკებია. აქვეა XVII—XVIII სს. შენობები და ეკლესიები, ქალაქის კედლები (1820—31), პროვ. პარლამენტი (1878—92, არქიტ. ე. ტაშე), ოტელი „შატო-ფრონტენაკი" (1889—1923), კონსოლური ხიდი (სიგრძე 11 *კმ*, 1907—17) წმ. ლავრენტის მდინარეზე.

კვებეკი (Québec), პროვინცია აღმ. კანადაში. ფართ. 1540 ათ. *კმ*². მოსახლ. 6,2 მლნ. კაცი (1976). ადმ. ც. — ქ. კვებეკი. კ-ის უმეტესი ნაწილი მდებარეობს ლაბრადორის ნ.-კ-ზე, სამხრ-ით აპალაჩის მთები (სიმაღლე 1311 *მ*-მდე) და წმ. ლავრენტის მდინარის დაბლობია. კ. ეკონ. განვითარების დონით II ადგილზეა ქვეყანაში, ალუმინის წარმოებითა და ელექტროსადგურების სიმძლავრით — I-ზე. განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა. იღებენ რკინის მადანს, პოლიმეტალებს, აზბესტს და სხვ. დამუშავებითი მრეწვ. იძლევა ქვეყნის მრეწვ. პროდუქციის ღირებულების დაახლ. 1/3-ს. დიდი მნიშვნელობა აქვს ცელულოზა-ქაღალდისა და ალუმინის მრეწველობას. განვითარებულია ნავთობგადასამუშ., მანქანათაშშ., საფეიქრო, სამკერვალო, ბეწვეულის, ტყავ-

ფეხსაცმლის, კვების მრეწველობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია სარძეო მესაქონლეობა, მეფრინველეობა. არის საკვები ბალახის, სიმინდის, ქერის, კარტოფილის ნათესები. თევზჭერა. ყველაზე დიდი სამრეწვ. ცენტრი და ნავსადგურია მონრეალი.

Კ-ის ტერიტ. ძველად ინდიელებითა და ესკიმოსებით (ჩრდ. ნაწილში) იყო დასახლებული. Კ-ს დიდხანს უწოდებდნენ მხოლოდ ფრანგულ დასახლების (დაარსეს 1608, ახლანდ. ქ. *კვებეკი*), შემდგომში — ფრანგ. კოლონიის ცენტრს. შვიდწლიანი ომის (1756—63) შედეგად ეს კოლონია დიდ ბრიტანეთს ერგო. 1774-იდან Კ. ეწოდა ინგლ. კოლონიას. 1791 Კ. ორ პროვინციად (კოლონიად) გაყვეს — ქვემო კანადა (ახლანდ. Კ-ის პროვ. სამხრ. ნაწილი) და ზემო კანადა (ახლანდ. ონტარიოს პროვ. სამხრ. ნაწილი). 1841 ზემო და ქვემო კანადა გაერთიანდა, მაგრამ კანადის დომინიონის შექმნის დროს (1867) კვლავ ორ პროვინციად გაიყო — Კ. და ონტარიო. XX ს-ში (განსაკუთრებით II მსოფლიო ომის შემდეგ) გაძლიერდა Კ-ის ფრანგ. მოსახლ. მოძრაობა კანადის ინგლ. მოსახლ. თანასწორი უფლებების მოსაპოვებლად, გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔ მცენარისა, ნაკვეთის ზედაპირული ფართობი, რ-იც განეკუთვნება ერთ მცენარეს (*სმ*² ან *მ*²-ზე). Კ. Ა. დამოკიდებულია მცენარის ბიოლ. თავისებურებაზე, ჯიშზე ზრდის პირობებსა და სამეურნეო დანიშნულებაზე. კვების არის სწორად შერჩევა განსაზღვრავს მზის ენერგიის, ტენის, ნიადაგის საკვები ნივთიერებების გამოყენების ხარისხს და მოსავლიანობას. Კ. Ა. განისაზღვრება 1 *ha*-ზე მცენარეთა რაოდენობით. ტანმაღალი მცენარეების, მაღალ სან�ზე მოზარდი ხეხილისა და საგვიანო ბოსტნეულის კვების არე უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე ტანდაბალი ჯიშების, ჯუჯა სანერგზე მოზარდი მცენარეებისა და საადრეო კულტურებისა. ბოსტნეულის და ხეხილის ახალგაზრდა მცენარეები ვეგეტაციის პირველ პერიოდში კვების არეს მთლიანად ვერ იყენებენ, ამიტომ მწკრივთშორისებში შეიძლება საადრეო კულტურების დარგვა ან დათესვა (იხ. *შემჭიდროებული თესვა*), რაც მიწის უფრო ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ, კვების პროდუქტების, აგრეთვე, თამბაქოს ნაწარმის, საპნისა და სარეცხ საშუალებათა, საპარფიუმერიო-კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელი მრეწველობის დარგთა ერთობლიობა. რევოლუციამდელი რუს. Კ. Მ. ძირითადად ხელის შრომასა და პრიმიტ. ტექნიკაზე დამყარებულ 300 ათასზე მეტი წყვილი საწარმოსაგან შედგებოდა. მასში შემავალ დარგთა ნომენკლატურა და გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი მეტისმეტად შეზღუდული იყო. მოქმედებდა სპირტსახდელი, შაქრის, საკონდიტრო, თამბაქოს და სხვ. ფ-კის ტიპის მსხვილი საწარმოები. ვიტამინებს, მარგარინს, საკვებ კონცენტრატებსა და რიგ სხვა პროდუქტებს საერთოდ არ აწარმოებდნენ. სუსტად იყო განვითარებული ჩაისა და კონსერვის მრეწვ. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში Კ. Მ. სხვა დარგებთან შედარებით უფრო განვითარებული იყო, რაც მეფის რუს., განსაკუთრებით მისი განაპირა მხარეების, მრეწვ. საერთო ჩამორჩენილობით აიხსნება. Კ. Მ. საწარმოები ქვეყნის ტერიტორიაზე უთანაბროდ იყო განლაგებული.

სსრკ-ში კვების მსხვილი მანქანური მრეწვ. არსებითად ომამდელ ხუთწლედებში შეიქმნა. აშენდა ახ. ფ-კა-ქ-ნები, რეკონსტრუირებულია და თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნიკით არის აღჭურვილი Კ. Მ-ის ბევრი მოქმედი საწარმო. დიდი სამამულო ომის წლებში გერმ. ფაშისტებმა ოკუპირებულ რ-ნებში უდიდესი ზიანი მიაყენეს Კ. Მ-ის საწარმოებს. 1945 წარმოების მოცულობა 1940-თან შედარებით 1,9-ჯერ შემცირდა, ხოლო — ზოგიერთი სახეობის პროდუქციისა (ხორცი, შაქრის ფხვნილი) 1913 დონემდე დაეცა.

ომის შემდგომ პერიოდში აღდგენილი და რეკონსტრუირებულია განადგურებული საწარმოები. აშენდა მრავალი თანამედროვე ტიპის მსხვილი სპეციალიზებული ფ-კა-ქ-ნა. 1975 Კ. Მ. აერთიანებდა დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ 11407 საწარმოს, რ-ებშიც სამრეწვ.-საწარმოო პერსონალის საშ. წლ. რაოდენობა 3015 ათ. კაცს შეადგენდა. Კ. Მ-ის სამინისტროს სისტემაში IX ხუთწლედის დასასრულისათვის საწარმოო, აგროსამრეწვ. და სამეცნ. საწარმოო გაერთიანებათა რაოდენობამ 419 მიაღწია. 1975 წ. 1 ივლ-თვის დარგი ითვლიდა კომპლექსურად მექანიზებულ და ავტომატიზებულ 2420 საწარმოსა და 15621 საამქროს, უბანსა და წარმოებას. მოწყობილი იყო 35710 მექანიზებული ნაკადური, და 3274 ავტომ. ხაზი. Კ. Მ-ში შრომის ნაყოფიერება 1940—75 გაიზარდა 3,5-ჯერ და მეტად. ამ დარგის ხვ. წ. სსრკ სამრეწვ. წარმოების საერთო მოცულობის 20% შეადგენს.

საქართველოში Კ. Მ. განვითარებული დარგია, მასზე რესპ. სამრეწვ. წარმოების საერთო მოცულობის დაახლოებით 40% მოდის. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დარგის ზოგი პროდუქტი, რ-ზეც საკავშირო და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნაა, ფართო მასშტაბით იწარმოება. ამასთან, სხვა დარგები, განსაკუთრებით მძიმე მრეწვ., არსებულ შესაძლებლობათა და რეზერვების სრული გამოყენებით არაა განვითარებული. ამიტომ მრეწვ. ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის შექმნით, რ-ის განსახორციელებლად ამჟამად რესპუბლიკაში ქმედითი ღონისძიებანი ხორციელდება, რამდენადმე შემცირდება Კ. Მ-ის ხვ. წ. მრეწვ. საერთო კომპლექსში, მაგრამ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვან, წამყვან როლს, იგი მომავალშიც შეინარჩუნებს.

რესპ. Კ. Მ-ის საერთო-საკავშ. სპეციალიზაციის დარგებია ჩაის, ღვინის, ხილ-ბოსტნეულის, კონსერვის, თამბაქოს, ეთეროვანი ზეთების მრეწვ. და მინერ. წყლების ჩამოსხმა.

საქ. სსრ Კ. Მ-ის დარგობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი თავისებურებაა Კ. Მ-ის მთლიან პროდუქციაში საერთო-საკავშ. სპეციალიზაციის დარგთა ხვ. წ. მაღალ დონესთან ერთად მისი შემდგომი ზრდის ტენდენცია, მაგ., Კ. Მ-ის მთლიან პროდუქციაში ღვინის, ჩაისა და კონსერვის მრეწვ. ხვ. წ. 1933 წ. 29% არ აღემატებოდა, ამჟამად იგი დაახლ. 60% შეადგენს 1980-თვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა. საქ. კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დასახულია X ხუთწლედში აწარმოონ (ათ. ტ): ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 1673, ყურძენი — 3431, ხილი — 2695, ციტრუსი — 600, ბოსტნეული — 2623 და ა. შ.

ადგილ. ხელსაყრელი პირობების ბაზაზე განვითარებულ და საერთო-საკავშ. მასშტაბით სპეციალიზებულ დარგებთან ერთად საქ. სსრ Კ. Მ. მოიცავს მთელ რიგ სხვა დარგებსაც (ხორცის, რძისა და ყველკარაქის, შაქრის, საკონდიტრო, მაკარონის, ლუდის მრეწველობა და სხვ.), რ-თა ძირითადი დანიშნულებაა რესპ. მოსახლ. მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რესპ. Კ. Მ-ის დარგობრივი სტრუქტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე რესპ. მნიშვნელობის დარგების პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა და Კ. Მ-ის მთლიან პროდუქციაში მათი ხვ. წ. შემცირების ტენდენცია.

რძის, კარაქის, ხორცის, ძეხვეულისა და კვების სხვა ძვირფასი პროდუქტის წარმოება საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათზე არსებულ მოთხოვნილებას (დეფიციტი შემოზიდული ნაწარმით იფარება). ეს ძირითადად აიხსნება იმით, რომ მეცხოველეობის განვითარებისათვის არსებულ მნიშვნელოვან რეზერვებს ათეული წლების მანძილზე არარაციონალურად იყენებდნენ. ამჟამად პარტიისა და მთავრობის მიერ დიდი მუშაობაა გაშლილი ამ მიმართულებით დასახულ ღონისძიებათა ფართო პროგრამის განსახორციელებლად.

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის თანამედროვე საშუალებებით Კ. Მ. ვაცილებით უკეთაა აღჭურვილი, ვიდრე რესპ. სხვა რომელიმე დარგი. 1975 მასზე მოდიოდა რესპ. მრეწველობაში გამოყენებული მექანიზებული ნაკადური ხაზების საერთო რაოდენობის 54,2% და ავტომ. ხაზების 56,2%. მიუხედავად ამისა, როგორც საერთოდ, ისე ამ დარგში ჯერ კიდევ მთელი რიგი სამუშაოების (განსაკუთრებით დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამხმარე სამუშაოთა) მექანიზაცია ძლიერ დაბალ დონეზეა, რაც დიდ ამოცანებს უყენებს ამ სფეროში მომუშავეთ.

როგორც სკკპ და საქ. კპ XXV ყრილობებზე აღინიშნა, X ხუთწლედში საშ. საკავშიროზე (23—25%) უფრო სწრაფი ტემპით (37%) გაიზრდება ჩვენი რესპ. Კ. Მ-ის მთლიანი პროდუქციის მოცულობა. 1980 მან 2,5 მლრდ. მან. მიაღწია (იხ. აგრეთვე ტომი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ეკონომიკა).

ლიტ.: სკკპ XXV ყრილობის მასალები, ობ., 1976; ჩიქავა ლ., საქართველოს სსრ კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დაწყოლებაში, თბ., 1965

ლ. ჩიქავა.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, თავის ტვინის ზოგიერთი ქერქქვეშა წარმონაქმნი, რ-იც არეგულირებს ადამიანისა და ცხოველთა კვების პროცესს. ტერმინი „Კ. Ც.“ ი. პავლოვმა შემოიღო. იგი გულისხმობს ფუნქციურ და არა ანატ. ცენტრს. Კ. Ც-ის უმნიშვნელოვანესი ნაწილია *ჰიპოთალამუსი*, რ-ის ზოგი ბირთვის გაღიზიანება ცხოველში იწვევს შიმშილის, ზოგისა კი — სიმაძღრის გრძნობას. შესაბამისად, ამ ბირთვების დაზიანება იწვევს *აფაგიას* (საჭმლის მიუღებლობას) ან *ბულიმიას* (გაუმაძღრობას). Კ. Ც-ის აგზნება ან შეკავება ხდება სხვადასხვა რეცეპტორის გაღიზიანებისას ან სისხლის ქიმ. შედგენილობის შეცვლის დროს.

ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲭᲕᲔᲑᲘ, კვებითი ურთიერთობით დაკავშირებული ორგანიზმთა მწკრივები — ჯაჭვები, რ-თა შემადგენელი ყოველი რგოლი (ორგანიზმი) მომდევნო რგოლის საკვებს წარმოადგენს ცნობილია 2 ტიპის Კ. Ჯ.: 1. საძოვრისა, სადაც პირველი რგოლია მწვანე მცენარეები, შემდეგი—ფიტოფაგები და ბოლო—მტაცებლები; 2. დეტრიტული ჯაჭვი — იწყება მკვდარი ორგ. ნივთიერებებით, შემდეგ რგოლს წარმოქმნიან მიკროორგანიზმები, რ-ებითაც იკვებებიან დეტრიტოფაგები, ხოლო ამ უკანასკნელებით — მტაცებლები. Კ. Ჯ. გადახლართულია ერთმანეთში და ქმნიან კვებით ბადეს. მწვანე მცენარეებს უკავიათ პირველი ტროფიკული დონე (პროდუცენტები), ფიტოფაგებს—მე-2 (პირველადი კონსუმენტები), მათ მტაცებლებს—მე-3 (მეორეული კონსუმენტები), მეორეულ მტაცებლებს—მე-4 (მესამეული კონსუმენტები). ორგანულ ნივთიერებათა საბოლოო დამშლელებს რედუცენტებს უწოდებენ. თითოეული სახეობის პოპულაცია იკავებს ერთ ან რამდენიმე ტროფიკულ დონეს. ენერგიის ნაკადის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლის დროს იკარგება პოტენციური ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ავტოტროფები ორგ. ნივთიერებათა შესაქმნელად მზის ენერგიის მხოლოდ 3%-ს იყენებენ და ე. წ. პირველად პროდუქციას წარმოქმნიან. ასევე იკარგება ენერგია შემდეგ დონეებზე გადასვლის დროს. ამიტომ ყოველი ტროფიკული დონის ორგანიზმების ბიომასა ყოველთვის

ზ. კვერენჩხილაძე.

ტყის კვერნა.

თეთრყელა კვერნა.

ხარზა.

გაცილებით ნაკლებია წინა დონის ორგანიზმების ბიომასაზე. ამასთან დაკავშირებით არსებობს წარმოდგენა ეკოლოგიურ პირამიდაზე, რ-ის ფუძეს ავტოტროფული მცენარეები ქმნიან, ხოლო მწვერვალს — მტაცებლები. პირამიდის სიმაღლე კ. ჯ-ის სიგრძეზეა დამოკიდებული.

კვე-კვე (Que Que), ქალაქი ზიმბაბვეში, გველოს პროვინციაში. 50 ათ. მცხ. (1976). რკინის მადნისა და ოქროს მომპოვებელი რ-ნის ცენტრი. მეტალ. ქ-ნა. ოქროს მადნის გამამდიდრებელი ფ-კა.

კვენაკელი, სოფელი სიღნაღის რ-ნში (წნორის საქალაქო საბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 350 *მ*, სიღნაღიდან 14 *კმ*, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2,5 *კმ*. წნორის მსხვ. რქ. საქონლის გამოსაზრდელ-სასუქებელი კომპლ. მეურნეობა. საშ. სკოლა წნორში. კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, ვეტპუნქტი.

კვერეთი, ადგილობრივი მნიშვნელობის დაბაღმთიანი ბალნეოკლიმატური კურორტი საჩხერის რ-ნში. ზ. დ. 570 *მ*. იცის რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 2,0—3,0°C), თბილი, ზომიერად ნოტიო ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 20,0°C); ნალექები 1100—1200 *მმ* წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია დაბალი მინერალიზაციის წყალი, რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის. წყლის ტემპ-რა 16°C; დღეღამის დებიტი — 40 ათ. ლ. კ-ში მკურნალობენ სახსრების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლ. დაავადებებს. არის სააბაზანო, დასასვენებელი სახლი. სეზონი — მთელი წელი. *გ. უშვერიძე.*

კვერენჩხილაძე ვალერიან კონსტანტინეს ძე [დ. 10. I (23. I). 1902, სოფ. ხორეთი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი], ქართველი საბჭ. ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1955), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1940-იდან. 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1941—45 იყო საველე ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი, 1952—60 — საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი, 1968—74 — თბილ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრის გამგე, 1974-იდან ამავე კათედრის კონსულტანტია. კ. შეისწავლის გულმკერდისა და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებებსა და მათ მკურნალობას. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მედლებით.

თხზ.: მუცლის ღრუს თიაქრები, თბ., 1964; ნაწლავთა გაუვალობის კლინიკა და მკურნალობა, თბ., 1956; **Хронические неспецифические нагноения легких**, Тб., 1954.

კვერენჩხილაძე ზინაიდა ვასილის ასული (დ. 25. VIII. 1932, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1976). 1956 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტი და იმავე წლიდან ჩაირიცხა რუსთაველის თეატრში. კ. ტრაგიკული და დრამ. ამპლუის მსახიობია. მას ახასიათებს მაღალი სცენური კულტურა, გამომსახველობითი ფორმების შინაგანი სიღრმე და სიზუსტე, ემოციურობა, დახვეწილი მეტყველება. როლები: ლელა (გაჩეჩილაძის „ბახტრიონი"), ზეინაბი (სუმბათაშვილ-იუჟინის „ლალატი"), ფედრა (რასინის „ფედრა"), იოკასტე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), ანტიგონე და მედეა (ანუის „ანტიგონე" და „მედეა"). კ. პედ. მოღვაწეობას ეწევა თეატრ. ინ-ტში. *დ. ივანაშვილი.*

კვერთხი, ძვლის, რქის, ხის ან ლითონისაგან დამზადებული რეგალია მაღალი ხელისუფლების პირთათვის. კ., როგორც ინსიგნია, უძველეს დროში შეიქმნა და უკვე გვარისა და ტომის ბელადებს ეპყრათ მათი განსაკუთრებული საზ. მდგომარეობის აღმნიშვნელ სიმბოლოდ. საბჭჟენი კ., ყავარჯენი, საქართ. მთიანეთში ხევისბერთა ინსიგნიას წარმოადგენდა და დაცული იყო ხატში. დიდ დღესასწაულებზე იგი დროშებთან ერთად გამოჰქონდათ და საზეიმო ცერემონიალის თუ საკულტმსახურო რიტუალის შესრულებისას ხევისბერებს ეჭირათ. სას. და საერო ხელისუფლების აღმნიშვნელ ატრიბუტად ყავარჯენი უმაღლეს საეკლ. პირებსაც ჰქონდათ.

კ-ის ნაირსახეობაა სკიპტრა—ძვირფასი ლითონისა და სპილოს ძვლის მოჩუქურთმებული და პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ხელსაპყრობი, რ-იც სამეფო რეგალიას წარმოადგენდა. კ., როგორც ხელისუფლების სიმბოლო, ენიჭებოდა ადმ. აპარატის მოხელეთ. სახელდობრ, ოქროს კ., ანუ არგანი მანდატურთუხუცესს ეკუთვნოდა, ხოლო რიგით მოხელეებს — მანდატურებსა და ბაზიერებს — ხის არგნები — კომბლები ეჭირათ (ამიტომ მათ ხელარგნოსნებს ან ხელჯოხიანებს ეძახდნენ). როგორც სახელმწ. ხელისუფლების წარმომადგენელთ, საკუთარი კ. ჰქონიათ ერისთავებსაც, მავ., ცნობილია მურყმელის წმ. ბარბარეს ეკლესიაში დაცული სვანი ერისთავების სახელისუფლო ემბლემა ვერცხლის 2 კ. როგორც ხელისუფლების აღმნიშვნელი ინსიგნია. კ. პრაქტიკულად მონარქიასა და ფეოდ. სახელმწ. აპარატთან ერთად გაუქმდა.

წყარო და ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970; ჩ ი ტ ა ი ა გ., სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», 1972, ტ. 16—17. *ი. სურგულაძე.*

კვერნა (Martes), ძუძუმწოვრების გვარი *კვერნისებრთა* ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 40—80 *სმ* აღწევს, კუდისა — 20—50 *სმ*. აქვთ წაგრძელებული და მოქნილი სხეული, ფაფუკი და რბილი ბეწვი. ცნობილია 6 (ზოგი მონაცემებით 8) სახეობა. გავრცელებული არიან ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. სსრკ-ში 4 სახეობაა: ტ ყ ი ს კ. (M. martes), თ ე თ რ ყ ე ლ ა კ. (M. foina) (ესენი საქართველოშიც ფართოდ არიან გავრცელებული), *სიასამური* და *ხარზა*. უმეტესობა ტყეში ცხოვრობს. იკვებებიან პატარ-პატარა ცხოველებით. ხილით, კენკრით. უმრავლესობას (ხარზას გარდა) ძვირფასი ბეწვი აქვს.

კვერნაულა, სოფელი თიანეთის რ-ნში (არტნის სოფსაბჭო), მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 1100 *მ*, თიანეთიდან 7 *კმ*. ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ახალსოფელში (4 *კმ*).

კვერნაულა, სოფელი თიანეთის რ-ნში (ლულელების სოფსაბჭო), ერწოს ქვაბულში. ზ. ღ. 1050 *მ*, თიანეთიდან 32 *კმ*. ერწოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ლულელებში (2 *კმ*). ბ-კა.

კვერნაქები, ბორცეიან - დაბალმთიანი სერი (ქედი) აღმ. საქართველოში, ტირიფონ-მუხრანის ვაკეებსა და მტკვრის შუა ხეობას შორის. გადაჭიმულია მდ. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე მდ. საქაშეთისხევიდან (დას.) მდ. არაგვამდე (აღმ.). საერთო სიგრძე დაახლ. 70 *კმ*, განი 7—8 *კმ*. აგებულია ნეოგენური მოლასური ნალექებით — კონგლომერატებით, ქვიშაქვებითა და თიხებით. კ. მონოკლინური სტრუქტურიანია და მორფოლოგიურად ასიმეტრიულია: სამხრ. კალთა ციცაბოა, ჩრდ.— დამრეცი, გარდიგარდმო გადაკვეთილია მდ-ების ლიახვის, ლეხურისა და ქსნის ხეობებით, რ-ებიც მას ოთხ მონაკვეთად ყოფს. ყველაზე დაბალია (მაქს. სიმაღლე 878 *მ*) დას. კვერნაქები ანუ .რუისის სერი, რ-იც იწყება მდ. საქაშეოისხევიდან და გრძელდება მდ. ლიახვამდე. მის აღმ-ით მდ. ლეხურამდე ვრცელდება აღმოსავლეთ კვერნაქები ანუ საკუთრივ კვერნაქები (მთა კვერნა 1074 *მ*, მთა ზეგარდა 1114 *მ*), რ-ის თხემური ზოლის ღრმულში ზ. დ. 856 *მ*-ზე მდებარეობს ნადარბაზევის ტბა. ამ სერის სამხრ. კალთის ფლატეებსა და ქარაფებშია გამოკვეთილი ხელოვნური გამოქვაბული ციხე-ქალაქი უფლისციხე. მდ-ებს ლეხურასა და ქსნს შორის კ-ის მონაკვეთს წლევი-თხოთის სერი ეწოდება, რ-საც თხემის ჩადაბლებული ადგილი — უღელტეხილი წლევისა (მთა წლევი 1097 *მ*) და თხოთის (აღმ-ით) სერებად ყოფს.

კ-ის უკიდურესი აღმ. მონაკვეთი — სხალტბის კუესტური სერი (მთა სხალტბა 1091 *მ*) მდ-ებს ქსანსა და არაგვს შორისაა გაწოლილი. სხალტბის ჩრდ. კალთა დამრეცია, სამხრ. — ციცაბო, განსაკუთრებით ფლატოვანია მდ. არაგვისაკენ მიქცეული კალთა და ძეგვსა და მცხეთას შორის მდებარე მონაკვეთი. შიომღვიმის მონასტრის მიდამოებში ხელოვნური გამოქვაბულებია. ზოგან განვითარებულია პედლენები. კ-თვის დამახასიათებელია მშრალი ხევებითა და ხრამებით ძლიერ დანაწევრება და ნოვაკებული ზედაპირები. კ-ის გამკვეთი ხეობებიდან ციცაბგვერდებიანი და ვიწროა ლეხურას ხეობა, ფართოა ქსნის ხეობა და უფრო ფართოა ლიახვის ხეობა, სადაც ამართულია ეროზიული შთენილი ბორცვი გორის ციხით.

კ-ის კალთებზე ტყის ყავისფერ ნიადაგებზე გავრცელებულია ძეძვი, შავჯაგა, ქონდარა ნუში, ჯაგრცხილა. ჯაგეკლიან ბუჩქებს შორის იზრდება ბალახეულობა: ურო, ველის ნეკანა, ეაციწვერა და სხვ. ჩრდ. კალთის ტყის ყავისფერ და ნაწილობრივ ყომრალ ნიადაგებზე აღმ. ნაწილში ჯაგრცხილნარი და მუხნარ-რცხილნარია. ყველაზე ბალალ ადგილებში გეხვდება წიფელიც. ფლატეებზე, კლდოვან და ღორღიან ადგილებში ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებზე იზრდება გლერძი, შავჯაგა და სხვ. კ-ის სამხრ. კალთაზე, მცხეთასა და ძეგვს შორის, გვხვდება არიდული ნათელი ტყე. რ-ის შემადგენელი ჯიშებია: ღვია, საკმლის ხე, აკაკი. ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, თრიმლი. შიომღვიმის მიდამოებში არის ქართული მუხის, ჯაგრცხილისა და შინდის ტყე. მდ-ების ხეობებში ზოგან გეხვდება ტუგაის ტყე. *დ. უკლება.*

კვერნაძე ბიძინა (ალექსანდრე) ალექსანდრეს ძე (დ. 29. VII. 1928, ქ. სიღნაღი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი. საქ. სსრ სახალხო არტისტი (1979). 1953 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ა. ბალანჩივაძის კლასი). ნაწარმოებები: 2 საფორტეპიანო (1950, 1966) და სავიოლინო (1957) კონცერტები, „ცეკვა-ფანტაზია" ორკესტრისათვის (1959), სიმფონია (1961), „საზეიმო უვერტიურა" (1968), ვოკალურ-სიმფ. პოემა „უკვდავება" (ი. გაგარინისადმი, 1971); ბალეტები — „ქორეოგრაფიული ნოველები" (1963; დაიდგა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში 1964), „ბერიკაობა" (1973), „შვილის ნუკრის ნაამბობი" (1980). ოპერეტა „ცოლები და ქმრები" (1970), ვოკალურ-სიმფ. პოემა „ჩემი ლოცვა" (1978), სოლისტისა და სიმფ. ორკესტრისათვის — „ძველი ქართული წარწერები" (1978), „ფშაური ნატირალი" (1980), საფორტეპიანო პიესები, საესტრადო სიმღერები, თეატრისა და კინოს მუსიკა.

კვერნეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (ძარის სოფსაბჭო), მდ-ების დიდი ლიახვისა და აღმ. ფრონის წყალგამყოფის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1040 *მ*, ცხინვალიდან 3 *კმ*. თამარაშენის მერძეველობა-მეთესლეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა ცხინვალში.

კვერნისებრნი (Mustelidae), ძუძუმწოვრების ოჯახი მტაცებლების რიგისა. აქვთ წაგრძელებული სხეული. შემოსილი არიან ფაფუკი და ხშირი ბალნით. ზოგს თითებს შორის საცურავი აპკი აქვს. გავრცელებული არიან თითქმის მთელ მსოფლიოში, გარდა ავსტრალიის, მადაგასკარისა და ზოგი კუნძულისა. ცხობილია 5 ქვეოჯახის 28 (ან 30) გვარი. სსრკ-ში გვხვდება 8 გვარი (16 სახეობა): *დედოფალა, ქრცვინი* და *კვერნა*, ცხოვრობენ ნაირგვარ გარემოში. ზოგი კარგად დაძვრება ხეებზე; მაჩვს თითები მომარჯვებული აქვს სოროს სათხრელად, წავსა და ზღვის წავს თითებს შორის საცურავი აპკი აქვთ. კ-თა უმრავლესობა სარეწაოა.

კვერშლაგი (გერმ. Querschlag), ჰორიზონტალური, იშვიათად დახრილი მიწისქვეშა სამთო გვირაბი, რ-იც მიწის ზედაპირზე უშუალოდ არ გამოდის; გაჰყავთ ფუჭ ქანებში სასარგებლო წიაღისეულის გავრცელების ხაზისადმი მართობულად ან ირიბად; იყენებენ საბადოს გასახსნელად (იხ. *გახსნა სასარგებლო წიაღისეული საბადოს*). ტვირთის საზიდად, ადამიანთა სასიარულოდ, ვენტილაციისათვის და სხვ.

კვერჩა (Quercia) იაკოპო დელა (დაახლ. 1374—1438), იტალიელი მოქანდაკე. იხ. *იაკოპო დელა კვერჩა.*

კვერცხი, 1. ცხოველური ორგანიზმის მდედრობითი სასქესო უჯრედი, იგივეა, რაც *კვერცხუჯრედი.* 2. კვერცხმდებლობის შემთხვევაში ტერმინით „კ.“ აღნიშნავენ ჩანასახს, რ-იც ვითარდება სპეც. გარსებში.

კვერცხი სასოფლო-სამეურნეო ფრინველისა, კვერცხუჯრედი, რ-ისგანაც განაყოფიერების შემთხვევაში ვითარდება ფრინველის ახალი ორგანიზმი; ძვირფასი საკვები პროდუქტი. კ. მდიდარია სრულფასოვანი ცილებით. კ. შეიძლება იყოს როგორც განაყოფიერებული, ისე გაუნაყოფიერებელი — ორივეს კვებითი ღირებულება თანაბარია. სხვადასხვა სას.-სამ. ფრინველის კ-ის ფერი, ფორმა და წონა სხვადასხვაა. ყველაზე დიდია ბატის კ., შემდეგ ინდაურის, იხვისა და ქათმის კ. სას.-სამ. ფრინველის კ-ის მასაა (*გ*-ობით): ბატისა 110—180, ინდაურისა 110, ქათმისა 55—65, ციცრისა 45, მწყერისა 8—10. კ. მდიდარია ორგ. და მინერ. ნივთიერებებით, აგრეთვე ვიტამინებით. *ნ. ანთაძე.*

კვერცხი, მასის (წონის) ერთეული XVIII—XIX სს. საქართველოში. *ლიტრის* 1/60. კ-ის მასა ჩვეულებრივ დაკავშირებული იყო ქათმის კვერცხის მასასთან და დაახლ. 50—60 *გ* შეადგენდა. ეთნოგრ. ყოფაში შემორჩენილი იყო ბოლო წლებამდე.

კვერცხის პროდუქტები, კვერცხისაგან დამზადებული საკვები ნახევარფაბრიკატები. ყველაზე უფრო გავრცელებული და ძვირფასია ქათმის კვერცხი და მისგან დამზადებული პროდუქტები. კვერცხი შეიცავს ორგანიზმის ცხოველმყოფელობისათვის საჭირო ყველა მასაზრდოებელ ნივთიერებას. ქათმის კვერცხი საშუალოდ შეიცავს 73,60% წყალს, 12,8% აზოტოვან ნივთიერებებს (ცილებს), 11,8% ცხიმებს, 1% ნახშირწყლებს, 0,8% მინერ. ნივთიერებებს. კვერცხში არის აგრეთვე ლეციტინი და ვიტამინები (A, B_1, B_2, D, E, K, PP). კვერცხისაგან ამზადებენ გაყინულ კ. პ-ს და კვერცხის ფხვნილს. უფრო პერსპექტიულია გაყინული კ. პ-ის წარმოება, რადგანაც ისინი მნიშვნელოვნად ინარჩუნებენ ნატურალურ თვისებებს. გაყინული კ. პ-ის მისაღებად კვერცხის მასას ფილტრავენ, ათავსებენ თუნუქის ქილებში, ხუფავენ, შემდეგ ყინავენ — 18°C-ზე. ამზადებენ სხვადასხვა პროდუქტს. მაგ., გაყინული კვერცხის ცილისა და გულის ნარევი ბუნებრივი პროპორციით — კვერცხის მელანჟი, რ-ის შედგენილობა კვერცხის ქიმ. შედგენილობის ანალოგიურია. ზოგჯერ მას უმატებენ 0,8% სუფრის მარილს ან 5% შაქარს. ცალ-ცალკე გაყინული ცილა და გული. გაყინული კ. პ. — 6°C-ზე 8 თვის განმავლობაში ინახება. უფრო მდგრადია მშრალი კ. პ. ასეთებია: ფხვნილი — ნარევი; მშრალი ცილა; მშრალი გული; მშრალი ომლეტი, დამზადებული კვერცხის მასისა და პასტერიზებული რძის თანაბარი რაოდენობის ნარევისაგან. 2°C და უფრო დაბალ ტემპ-რაზე კვერცხის ფხვნილი 2 წლის განმავლობაში ინახება. კ. პ-ს იყენებენ პურის, საკონდიტრო წარმოებაში, კულინარიაში და სხვ.

კვერცხიჭამია გველისებრნი (Dasypeltinae), გველების ქვეოჯახი *ანკარასებრთა* ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 80 *სმ* აღწევს. გავრცელებული არიან აფრიკასა და ინდოეთში. იკვებებიან ფრინველის კვერცხით. კბილები სუსტად აქვთ განვითარებული (მსხვერპლის დაჭერა არ უხდებათ), ხერხემლის წინა მალების გადიდებული მორჩები შეჭრილია საყლაპავის ღრუში და გადაყლაპული კვერცხის ნაჭუჭს ამსხვრევს. კვერცხის შიგთავსი კუჭში ჩაიქცევა, ნაჭუჭი კი პირით გარეთ გამოიდევნება. კ. ბ-თაგან ყველაზე ცნობილია აფრიკაში გავრცელებული Dasypeltis scabra.

კვერცხმგებლობა, ცხოველის შთამომავლობის მოცემის ხერხი, რ-ის დროსაც ჩანასახი ვითარდება გარემოში დადებულ კვერცხში. კ-ის დროს იბადება მეტ-ნაკლებად განვითარებული ნაშიერები. დადებული კვერცხი უფრო ხშირად განაყოფიერებულია, ზოგჯერ (*პართენოგენეზის* დროს) — გაუნაყოფიერებელი, უფრო იშვიათად — განვითარების სხვადასხვა სტადიაში. კ. ახასიათებს მრავალუჯრედიანი უხერხემლოების ყველა ტიპის წარმომადგენლებს და ქორდიანი ცხოველების უმრავლესობას. შდრ. *ცოცხლადშობა.*

კვერცხმდებლობა, სასოფლო-სამეურნეო ფრინველთა მეკვერცხული პროდუქტიულობა განსაზღვრულ დროში (თვე, წელი და სხვ.). კ. დამოკიდებულია ფრინველის სახეობასა და ჯიშზე, მემკვიდრეობით თვისებებზე, ინდივიდ. თავისებურებებზე, ასაკსა და გარემოს პირობებზე. ქათმის კარგი კ. არის წელიწადში 220—300 კვერცხი, იხვისა 120—180, ინდაურისა 100—150, ბატისა 50—80. სას.-სამ. ფრინველს კ-ის სეზონურობა ახასიათებს, რაც მოვლა-შენახვის პირობების რეგულირებისა და კვების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების გამოყენების შემწეობით ნაწილობრივ თანაბრდება, ეს კი ზრდის კ-ს. ქათამი კვერცხის დებას იწყებს 5—6, ინდაური 6 1/2—8, იხვი და ბატი 8—10 თვისა.

კვერცხსადები (ovipositor), მრავალი მწერისა და ზოგი თევზის კვერცხის დასადები გარეგანი სასქესო ორგანო. მწერების კ. წარმოადგენს მუცლის მე-8 და მე-9 სეგმენტის სახეცვლილ კიდურებს; შედგება 3 წყვილი საგდულისაგან, რ-იც ესობა სუბსტრატში და კვერცხი მათ შუა მისრიალებს. ტიპური კ. აქვთ კუტკალიებს; კალიების კ. უფრო მოკლე და მაგარია; ნემსიყლაპიები კ-ის მეშვეობით კვერცხს მცენარეთა ქსოვილში დებენ, მხედრები კი— სხვა მწერის სხეულში. უმაღლესი სიფრიფანაფრთიანების კ. გარდაქმნილია *ნესტრად.* თევზის კ. სახეცვლილი შარდ-სასქესო დვრილია, რ-იც ქვირითობის დროს გაგრძელდება.

კვერცხსავალი, სადინარი, რ-იც მომწიფებულ *კვერცხუჯრედს* საკვერცხიდან საშვილოსნოსკენ ატარებს. კ. ან საკვერცხის უშუალო გაგრძელებაა, ან მისგან იზოლირებული ორგანოა; ამ შემთხვევაში კ-ს მილის ფორმა აქვს, რ-ის ერთი ბოლო იხსნება სხეულის მეორეულ ღრუში (იხ. *სხეულის ღრუ*), მეორე კი — *კლოაკაში* (ხერხემლიანთა უმრავლესობა) ან გარეთ (რგოლოვანი ჭიები, ძუძუმწოვრები). უმეტეს შემთხვევაში კვერცხი კ-ში გარსით იფარება. შინაგანი განაყოფიერების მქონე ორგანიზმებში კ-ის ბოლო ნაწილი ქმნის *საშოს.* საშვილოსნოდან გამომავალ ვიწრო მილებს, სადაც ხდება კვერცხუჯრედის განაყოფიერება და გადაადგილება, *ფალოპის ლულები* ეწოდება.

კვერცხუჯრედი, ცხოველური ან მცენარეული ორგანიზმის მდედრობითი სასქესო უჯრედი, რ-ისგანაც *განაყოფიერების* ან *პართენოგენეზის* შემთხვევაში ვითარდება ახალი ორგანიზმი.

ცხოველური ორგანიზმის კ. ვითარდება საკვერცხეში. მომწიფების პროცესში (იხ. *ოოგენეზი*) თანამიმდევრულად წარმოიქმნება ოოგონიები, I და II რიგის ოოციტები და მწიფე კ-ები. ცხოველთა უმეტესობის კ. უძრავია და სფერული. მომწიფების პროცესში კ. დიდდება, მასში გროვდება საკვები მასალა — ყვითრი. კვერცხისმდებელი ცხოველების კ-ში ყვითრი მეტია, ვიდრე ცოცხლადმშობ ცხოველისაში. კ. ზომით ჭარბობს როგორც სხვა უჯრედებს, ისე მამრობით სასქესო უჯრედებსაც, რაც ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ზოგი გამონაკლისის გარდა, კ. დაფარულია გარსით: პირველადი გარსი თვით კ-ის გამონაყოფია, მეორეული წარმოიქმნება საკვერცხის ფოლიკულური უჯრედების სეკრეციის შედეგად; მესამეული კი — სასქესო გზების კედლის ჯირკვლების გამონაყოფით. ზოგი გარსი საკვების დამატებით მარაგს ქმნის და ჩანასახს წყალს აწოდებს. ზოგჯერ გარსი დამცველ ფუნქციასაც ასრულებს, ასეთებია უხერხემლოების ქიტინოვანი გარსი, გველის ტყავი, კუს და ფრინველების კიროვანი გარსი, ძუძუმწოვრების მუცინის შემცველი გარსი.

პარაზიტები და გარეგანი განაყოფიერების მქონე ცხოველები კ-ს უფრო მეტი რაოდენობით წარმოქმნიან, რადგან მათზე უფრო მეტად ახდენს გავლენას არახელსაყრელი პირობები. ზოგჯერ ასეთი ცხოველების კ. დაფარულია დამცველი გარსებით, რაც ხელს უწყობს მათ გადარჩენას. ზოგი ცხოველისათვის დამახასიათებელია კ-ის სეზონური დიმორფიზმი, რაც გამრავლების ხასიათზეა დამოკიდებული. კ. ირგვლივ მყოფი ფოლიკულური უჯრედების ხარჯზე იკვებება. ძუძუმწოვრების კ-ის ციტოპლაზმა და პირველადი გარსი ჰიალურონის მჟავას შეიცავს, ამის გამო კ. მკვრივია, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმში კ-ის მიგრაციის დროს. საკვერცხიდან გამოსული და კვერცხსავალში მოხვედრილი ძუძუმწოვრების კ. გარემოცულია ფოლიკულური უჯრედებით (ე. წ. სხივური გვირგვინით). ზოგი სას.-სამ. ცხოველის კ. კვერცხსავალში მოძრაობისას იფარება მუცინის შემცველი გარსით. ეს გარსი კონცენტრირებული შრეების სახითაა განლაგებული და შეუღწევადია სპერმატოზოიდებისათვის. მრავალნაყოფიანი ცხოველების კ-ები საკვერცხიდან გამოდიან ერთიმეორის მიყოლებით მცირე შუალედებში.

მცენარეთა კ. უმოძრაო, შედარებით მსხვილი, საკვებით მდიდარი უჯრედია. კ. აქვს ყველა უმაღლეს მცენარეს, აგრეთვე ზოგიერთ წყალმცენარეს და სოკოს. წყალმცენარეებს შორის კ. აქვთ ოოგამურ სახეობებს და წარმოიქმნება ოოგონიუმში. ხავსების, გვიმრებისა და შიშველთესლოვანების კ. წარმოიქმნება არქეგონიუმში. ფარულთესლოვანების კ. სინერგიდებთან ერთად შედის კვერცხის აპარატის შედგენილობაში. წყალმცენარეების, ხავსების, გვიმრების და შიშველთესლოვანთა კ. უმეტესად სფეროსებრია, ფარულთესლოვანების — მსხლისებრი ან ცილინდრული. კ-ის გარსი თხელია, რაც ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და სპერმიის შეღწევას განაყოფიერებისას. შემდეგ გარსი სქელდება, ეს კი ხელს უშლის სპერმიების შემდგომ შეღწევას, მაგრამ

ბ. კვერნაძე.

კვერცხიჭამია გველისებრნი. კვერცხიჭამია გველი ყლაპავს კვერცხს.



კვერცხსადები. დედალი კუტკალია კვერცხებს დებს ნიადაგში.



კვერცხუჯრედი: 1. ბირთვი; 2—ბირთვაკი; 3—პოლარული სხეულაკი; 4—სხივური გვირგვინი (corona radiata).

კვერცხუჯრედი. ზღვის გოჭის ოოციტის ელექტრონული მიკროფოტოგრაფია. ზემოთ. მარჯვნივ—ოოციტი ჩვეულებრივი მიკროსკოპით დათვალიერებისას.

კვეტერა. ეკლესია. X ს.

კვეტერა. სასახლის კომპ. ლექსი. შუა საუკუნეები.

ჩვეულებრივი კვიდო: ა — ყვავილებიანი ტოტი; ბ — ყვავილი; გ—ყვავილის სიგრძივი ჭრილი, დ — ნაყოფი; ე — ნაყოფის განივი ჭრილი; ვ — თესლი.

ნივთიერებათა ცვლას არ აფერხებს. კ-ს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მორფოლოგიური და ფიზიოლ. პოლარობა. ფიზიოლ. პოლარობა გამოიხატება ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა აქტივობაში. კ-ის ზემო ნაწილში აქტივობა უფრო მაღალია, ვიდრე ქვემოში. ფარულთესლოვანებში სწორედ ზემო ნაწილიდან ყალიბდება ჩანასახი. *ი. ქორქია.*

კვერცხცოცხლადმობა, შთამომავლობის მოცემის წესი, რ-ის დროსაც ჩანასახი სრულ განვითარებას დედის სხეულში მყოფ კვერცხში აღწევს, მაგრამ კვერცხის გარსებისაგან მხოლოდ კვერცხის დადების შემდეგ თავისუფლდება. გვხვდება იშვიათად. მაგ., უხერხემლოებიდან კ. ახასიათებს ზოგ მორიელსა და ტკიპას. ხერხემლიანებიდან კვერცხცოცხლადმობია მთელი რიგი ქვეწარმავლები (მაგ., ცოცხლადმშობი ბოხმეჭა); გველებიდან — ჩვეულებრივი გველგესლა, ზღვის გველები, ზოგი ანკარა. ზოგჯერ აღინიშნება არასრული კ. — ჩანასახის განვითარება დედის ორგანიზმში მყოფ კვერცხში იწყება, მაგრამ სრული განვითარება კვერცხის დადების შემდეგ მთავრდება (ზოგი რგოლოვანი და მრგვალი ჭია).

კვესეთი, სოფელი გარდაბნის რ-ნში (კოჯრის სადაბო საბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოებაზე, მდ. ვერის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ*, გარდაბნიდან 60 *კმ*, თბილისიდან 30 *კმ*. კოლ-ბა (მეცხოველეობა, მემინდვრეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. კიკეთში (5 *კმ*). სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. კ-იდან 2 *კმ*-ზე დგას *ბეთანიის* ხუროთმოძღვრული ძეგლი (XII—XIII სს.).

კვესელავა დავით ალექსანდრეს ძე (25. VIII. 1911, სოფ. ლეციცხვაიე, ახლანდ. გეგეჭკორის რ-ნი, — 6. XI. 1978, თბილისი), ქართველი საბჭ. მათემატიკოსი, ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1954), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ (1936). იყო საქ. სსრ მეცნ. აკად. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი ცენტრის დირექტორი (1952-78). იკვლევდა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიისა და გამოთვლითი მათ. საკითხებს.

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე (დ. 27. V. 1913, თბილისი), ქართველი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1964), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1976), სკკპ წევრი 1942-იდან. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში (1941—45) და მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე ნიურნბერგში (1945—46). 1946-იდან ლექციებს კითხულობდა თსუ-ში. სხვადასხვა დროს იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტ. ურთიერთობის საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე; უცხო ენათა პედ. ინ-ტის დირექტორი, საქ. კპ. ცკ-ის განყ-ბის გამგე და სხვ. კ. ავტორია მონოგრაფიებისა „ბულგარული ლიტერატურა" (1953) და „ადამ მიცკევიჩი" (1965). მისი ორტომიანი „ფაუსტური პარადიგმები" (1961) დას. ევრ. ლიტ. აზროვნების ფართო პანორამის შემცველი გამოკვლევაა. „ას ერგასის დღე" („თემიდას თვალები", 1967; „ევროპის მოტაცება", 1970; „ნემეზიდას მახვილი", 1971) II მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი კულტ.-ფილოს. და ისტ.-ლიტ. განზოგადებით მდიდარი ტრილოგიაა. მასვე ეკუთვნის მონოგრაფია „პოეტური ინტეგრალები" (1977), რ-შიც გ. ტაბიძის პოეზიის ძირითადი ტენდენციები დას. ევრ. პოეტური აზროვნების მასშტაბშია განხილული. დაჯილდოებულია 2 სამამულო ომის II„ ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით. *ნ. ყიასაშვილი.*

კვესრეული, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (ბორითის სოფსაბჭო), მდ. ძირულის ხეობაში. ზ. დ. 560 *მ*, ორჯონიკიძიდან 28 *კმ*. საქასრიის კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ვაშლევში (2 *კმ*).

კვესტორი (ლათ. quaestor<quaero — ვეძებ, ვიძიებ), თანამდებობის პირი ძვ. რომში. რესპ. დამყარებამდე კ. იყო მსაჯული, რესპ. პერიოდში — კონსულის თანაშემწე; იმპერიის ეპოქაში განაგებდა გზების მოკირწყვლის, მთავრობის ბრძანებულებათა გამოქვეყნებისა და სხვ. საქმეებს. კ-ის თანამდებობა პატრიციებს ეკავათ, ძვ. წ. 421-იდან იგი პლებეებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა. კ-ებს თავდაპირველად *კონსულები* ირჩევდნენ, შემდეგ — *კომიციები*. ჯერ იყო 2 კ., შემდეგ კი მათი რიცხვი თანდათანობით 40-მდე გაიზარდა.

კვეტა, ისტორიული მხარე ბელუჯისტანის ჩრდ-ით (პაკისტ. ტერიტორიაზე), სადაც სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებია აღმოჩენილი. ფართოდ არის ცნობილი ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის მიწათმოქმედ ტომთა კულტურა. გათხრებით დადგინდა ადგილ. კულტურის თანდათანობითი განვითარება. უძველესი ნამოსახლარები განეკუთვნება ძვ. წ. V ათასწლ. ბოლოს — ძვ. წ. IV ათასწლეულს. მისთვის დამახასიათებელია კაჟის იარაღი, ნაძერწი კერამიკა, თიხატკეპნილი ნაგებობანი. ცხოველთა მოშინაურებას მოწმობს ცხვრის, თხისა და ხარის ძვლების აღმოჩენა. ძვ. წ. III—II ათასწლეულებში გაჩნდა მორგვზე ნაძერწი კერამიკა. ტერაკოტის ქანდაკებანი, სპილენძის ნაკეთობანი. მოსახლ. ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა იყო. შეიმჩნევა კავშირი ირანის, სამხრ. ბელუჯისტანის, ინდ. და შუა აზიის კულტურებთან.

კვეტა, ქალაქი პაკისტანში, ბელუჯისტანის პროვ. აღმ. ცენტრი. 156 ათ. მცხ. (1972). რკინიგზის სადგური. მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანსპ. პუნქტი. კეების, ქიმ. მრეწვ., სარემონტო სახელოსნოები. 1935 მიწისძვრის შემდეგ ქალაქი თითქმის ხელახლა გაშენდა.

კვეტერა, ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, მდ. ილტოს ნაპირზე, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ახმეტის რ-ნი). კახეთის სამთავროს (შემდეგ სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი. წყაროებში პირველად XI ს. შუაწლებიდან იხსენიება, თუმცა, ვახუშტის (XVIII ს.) მიხედვით, ჯერ კიდევ VIII ს-ში უნდა არსებულიყო. ჩატარებული არქეოლ. კვლევა-ძიება ადასტურებს ამ ვერსიას. კ-ის გრანდიოზული ნანგრევები მაღალ მთაზეა, გარს არტყია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები მძლავრი გალავანი, რ-ის კედლებში დატანებულია კონტრფორსები, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. ციხესიმაგრის ჩრდ.-აღმ. მხარეს, ყველაზე მაღალ ადგილზე, აკროპოლისია, რ-შიც სასახლე და ეკლესიაა განლაგებული. გეგმით ჯვარისებრი ეკლესია X ს. I ნახ. მიეკუთვნება. ყოველი მკლავი დასრულებულია აფსიდით; აფსიდებს შორის მოთავსებულია ნიშები. ცენტრ. კვადრატზე აღმართულია მრგვალ ყელზე დაყრდნობილი გუმბათი. შრომით ნაგები შენობა, როგორც ჩანს, მეფის კარის ეკლესიად იყო გათვალისწინებული. ხუროთმოძღვარს ყოველგვარი მორთულობისა და ჩუქურთმების გარეშე შეუქმნია კომპოზიციურად მომხიბლავი ნაწარმოები.

დ. მუსხელიშვილი. შ. საღარაძე.

კვეცა, ფონეტიკური პროცესი: ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვნის მოკვეცა ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას. თანამედროვე ქართ. ენაში ა და ე ხმოვანზე გათავებული ფუძეები იკვეცება მხ. რ. ორ ბრუნვაში: ნათესაობითსა და მოქმედებითში. მაგ., გზა>გზ-ის; დედა>დედ-ის, დედ-ით; მზე>მზ-ის: მზ-ით; კლდე>კლდ-ის, კლდ-ით და ა. შ. **ებ**-იან მრავლობითში **ა**-ზე გათავებული ფუძეები მრავლობითშიც მოიკვეცენ ბოლო ხმოვანს, **ე**-ზე გათავებულები — არა. არ იკვეცება ა-სა და ე-ზე გათავებული ადამიანთა სახელები: მანანა>მანანა-ს და არა მანან-ის, სალომე>სალომე-ს და არა სალომ-ის; აგრეთვე — ა სუფიქსით ნაწარმოები ფუძეები: წითელა—წითელა-სი და არა წითლ-ის, ნაფოტა—ნაფოტა-სი და არა ნაფოტ-ის.

კვინახიძეები, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (დღვანის სოფსაბჭო), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, შდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1280 *მ*, შუახევიდან 17 *კმ*. დღვანის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა) რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი

კვიდო (Ligustrum), ფოთოლმცვივანი ან მარადმწვანე ბუჩქების (იშვიათად ხეების) გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ცნობილია 40-მდე სახეობა სსრკ-ში ბუნებრივად იზრდება 3; საქართველოში 1 — ჩვეულებრივი კ. (L. vulgare). იგი ფოთოლმცვივანი ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 2—5 *მ* აღწევს. სურნელოვანი და თაფლოვანი ყვავილები აქვს. ყვავილობს მაის-ივნისში. ნაყოფი შავია, მწიფდება სექტ.-ოქტ-ში და ხეზე მთელი ზამთარი რჩება. ფართოდაა გავრცელებული მთელს ტყიან საქართველოში. ველურად იზრდება აგრეთვე სსრკ ევრ. ნაწილის სამხრ.-დას-ით, ყირიმსა და კავკასიაში, სამხრ. და დას. ევროპაში, ჩრდ. აფრიკასა და მცირე აზიაში. დეკორატიულია. კრეჭას კარგად იტანს, ჭმნის მჭიდრო და ლამაზ ცოცხალ ღობეს. იყენებენ მინდორსაცავი ზოლების გასაშენებლად. ნაყოფიდან იღებენ შავ, მწვანე და სხვ. ფერის საღებავს.

მ. იმედაძე.

კვიეტიზმი (ფრანგ. quiétisme < ლათ. quietus—მშვიდი, აუღელვებელი), რელიგიურ-ეთიკური მოძღვრება, რ-იც ქადაგებს სამყაროსადმი მისტიკურ-მჭვრეტელობით დამოკიდებულებას, პასიურ სულიერ სიმშვიდეს ღვთის ნებისადმი სრულ მორჩილებას, სიკეთისა და ბოროტებისადმი, სამოთხისა და ჯოჯოხეთისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. აღმოცენდა XVIII ს. ბოლოს კათოლიციზმში და გამოხატავდა პაპობისა და ინკვიზიციის მიმართ მზარდ ოპოზიციას. კ-ის მოძღვრების თანახმად, ტანჯვასთან შეგუებული და სამყაროსგან განდგომილი სული მთლიანად იძირება ღვთიურ სიყვარულში.

კათოლ. ეკლესია და განსაკუთრებით იეზუიტები მკაცრად ილაშქრებდნენ კ-ის წინააღმდეგ. 1685 საგანგებო საეკლ. კომისიამ კ. დაგმო, როგორც უზნეო ერეტიკული მოძღვრება. ტერმ. „კ." შემდგომში სინონიმი გახდა პასიურობისა, მორჩილებისა და თავშეკავებისა. ამ მხრივ კ-ს ბევრი საერთო აქვს აღმ. რელიგიასთან. კ-ის ელემენტები შეინიშნება ტოლსტოველობაშიც. *ო. გაბიძაშვილი.*

კვიკვიძე ირაკლი სამსონის ძე [9 (22). III. 1902, სოფ. ბაჯი, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი, — 2. IV. 1951, სარატოვი], ქართველი საბჭ. ინჟინერ-გეოლოგი. სკკპ წევრი 1946-იდან. 1935 დაამთავრა ტექ. განათლების საკავშ. დაუსწრებელი ინ-ტი 1946 ვოლგისპირეთში დევონური ასაკის ნავთობის საბადოების აღმოჩენისათვის სხვა საბჭ. სპეციალისტებთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. *ვ. ჯავრიშვილი.*

კვინიხიძის ელჩობა რუსეთში, იმერეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში 1763, 1774 და 1784 დიპლომატ თავად დავით კვინიხიძის მეთაურობით. კ. მ-ს რუს. მთავრობისათვის უნდა ეცნობებინა იმერეთის მზადყოფნა ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის და ეთხოვა დამხმარე ჯარი. ამ ელჩობის შედეგად რუს. საექსპედიციო ჯარის რაოდენობა გაიზარდა. რუს.-ოსმ. 1768—74 ომში მოპოვებულ წარმატებათა განსამტ-



 სტ. *კატისებრნი.* **1.** ბენგალიური კატა; **2.** ფოცხვერი; **3.** მანული; **4.** ლელიანის კატა; **5.** კარაკალი; **6.** ავაზა; **7.** ბარხანების კატა; **8.** ჯიქი; **9.** იაგუარი; **10.** ლომი; **11.** ვეფხვი; **12.** ირბისი.

სტ. *კოლიბრი*. **1.** ხაფი (Sappho sparganura); **2.** მეწამული (Eulampis jugularis); **3.** რქოსანი (Heliactin cornuta); **4.** ხაფირისხფერი (Hylocharis sapphirina); **5.** თოპაზისფერი (Topaza pella); **6.** წყრომისებრი (Heliangelus exortis); **7.** არწივნისკარტა (Eutoxeres aquila); **8.** ლოდიგეზია (Loddigesia mirabilis); **9.** ალმოსანი (Oceratus uderwoodi); **10.** ელვა (Colibri coruscans); **11.** ხმალნისკარტა (Ensifera ensifera); **12.** გოლიათური (Patagona gigas); **13.** მერცხალა (Aglaiocercus kingi); **14.** ჩაფხუტოსანი (Oxypogon guerini); **15.** ბაზი (Acestrura bombus); **16.** მშვენიერი ელფი (Lophorinus magnificus); მამალ-დედალი; **17.** მზიური (Phaethornis longuemareus); **18.** ელფი (Lophornus sp.), მამალ-დედალი; **19.** ცისარტყელა (Coeligena iris).

კიცებბლად კვინიხიძე 1774 მეორედ გაემგზავრაა რუსეთს, მაგრამ ამჯერად ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან რუს. მთავრობაა ოსმალეთთან ურთიერთობის გართულეებას მოერიდა. მაგრამ ამ ომის საერთო შედეგებმა და ყირიმის საკითხის გამწვავებაამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა იმერეეთის მეფეს ოსმალთა ძალმომრეობისაგან ქვეყნის დასახსნელად. 1784 კვინიხიძე მაჟქსიმე აბაშიძესთან და ზურაბ წერეთელთან ერთად ისევ წავიდა რუსეთში. ამ ელჩობის მიზანი იმერეთის სამეფოს რუს. მფლობელობაში შესვლა იყო რუსეთსა და ქაართლ-კახეთს შორის 1783 დადებული გგეორგიევსკის ტრაქტატის ანალოგიური პპირობით.

ლიტ.: მ ა ჭ ა რ ა ძ ე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957, მ ი ს ი ვ ე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

ვ. მაჭარაძე.

კვინკკვერემი (ლათ. quinqueremis< quinque — ხუთი და remus — ნიჩაბი), ნიჩბიაანი ფლოტის სამხედრო ხომალდი ძვ. რიიმში. ყოველ ბორტზე ჰქონდა ნიჩბების 5 რიგი. ბოლო რიგში დაყენებული იყო ყველაზე გრძელი ნიჩბები. მენიჩბეებად შერჩეული იყვნენ ღონიერი მონები. იყენებბდნენ II პუნიკურ ომში ძვ. წ. III ს. ბოლოს.

კვინტა (ლათ. quinta — მეხუთე) მ უ ს ი კ ა ა შ ი, ბგერათრიგის ერთ-ერთი ინტერვალი ან საფეხური. კ. ეწოდება აგრეთვე ვიიოლინოს პირველ სიმს, რ-იც მე-2 ოქტავიის მი-ტონში არის აწყობილი.

კვინტესენციე (ლათ. quinta essentia — მეხუთეე არსი), ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში წმინდა ელემენტი (ან სტიქია), ეთერი, რრ-იც უპირისპირდებოდა დანარჩენ ელემენტებს (წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი) დდა მიჩნეული იყო უმთავრეს არსად. გადატაანითი მნიშვნელობით — ექსტრაქტი, უმმთავრესი, უმნიშვნელოვანესი, უარსებითეესი.

კვინტეტი (იტალ. quintette< ლათ. quintus—მეხუთე), მუსიკალური ანსამბლი, რ-შიც ხუთი შემსრულებელია. აგრეთვე მუს. ნაწარმოები ასეთი ანსამბლისათვის.

კვინტილიანე მარკუს ფაბიუს (Marckus Fabiuss Quintilianus) (დაახლ. 35, კალაგურისი, ახლანდ. კალაორა, ესპანეთი, — დაახლ. 96, რომი), საორატორო ხელოვნების თეეორეტიკოსი ძვ. რომში. ჩვენამდე მოაღწია მისმა მხოლოდ ერთმა თხზულებამ „ორატორის განათლების შესახებ" (12 წიგნადდ), რ-იც ანტ. რიტორიკისა და პედ. მნიშვნეელოვანი წყაროა. ლიტერატურათმცოდნეეობის თვალსაზრისით საინტერესოა წიგნი, რ-შიც კ. მიმოიხილავს ბერძნ. და რომაულლ პოეზიას და პროზას ეანრების მიხედვვით.

კვინტილიონი (ფრანგ. quintillion), რიცხვი, რ-იც გამოისახება ერთიანით და 18 ნულით, ე. ი. 10^{18}. ზოგჯერ კ-ს უწოდებენ (რიცხვს 10^{30}.

კვინტოლი (<ლათ. quintus — მეხუთე) მ უ ს ი კ ა შ ი, უთანაბრო დაყოფა; 5 ნოტისააგან შემდგარი განსაკუთრებული მეტრორრიტმული ფიგურა, რ-იც ეთანაბრება იმავეე გრძლივობის 4 ნოტს. იხ. *რიტმული დაყოფა.*

კვინტოს სმირნელი (Quintos ho Smyrnaios) (დაახლ. IV ს.), ბიზანტიელი პოეტი, ეპიკოსი. კიკლიკური ეპოსისა და ელინისტური პერიოდის მითოგრაფოსების თხზულეებების მიხედვით ქმნიდა ჰეგზამეტრებიით გამართულ პოემებს. XV ს-ში აღმოჩეხნილი მისი პოემა „ამბები ჰომეროსის შემმდეგ" ჰომეროსის „ილიადას" აგრძელებს. (თხზულებაში გადმოცემულია ტროის ომისს ამბები ჰექტორის სიკვდილის შემდეგ და) მთავრდება აქაველთა შინ დაბრუნების აამბავთა აღწერით; შეიცავს 14 სიმღერას, . დაწერილია ჰომეროსის ენით, თუმცა ხშირად გვხვდება ავტორის თანამედროვე ეხნობრივი ფორმებიც.

თხზს.: Posthomericorum libri 14, ed. A. Zimmermann, Lipsiae, 1891.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973

კვინტესექსტაკორდი (მუს.), სეპტაკორდის ერთ-ერთი შებრუნება.

კვინტური წრე (მუს.), 12 დიეზის ტონალობის აღნიშვნა, რ-იც გასაღებში შეიცავს 1-იდან 12-მდე დიეზს, ე. ი. კ. წ. შეიცავს დიეზების ტონალობას, შედგება ოქტავაში მოთავსებული ყველა 12 ბგერისაგან. უკანასკნელი ტონალობა ენჰარმონიულია დასაწყისი ტონალობისა. კვინტურ წრეს დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ტონალობებს შორის მოდულაციური კავშირის დასადგენად.

კვიპარიზი (Cupressus), მარადმწვანე ხეების, იშვიათად ბუჩქების, გვარი კვიპაროზისებრთა ოჯახისა. პირამიდული ან გაშლილვარჯიანი ხეებია. აქვთ ყავისფერი ქერქი და ჯვარედინ-მოპირისპირედ განწყობილი ქერქლისებრი წიწვები. მეტნაკლებად მომსხო ბურთისებრი გირჩები მწიფდება მე-2 წელს. გვარში 15—20 სახეობაა. გავრცელებულია ევრ., აზიის, ჩრდ. აფრ. და ჩრდ. ამერ. ზომიერად თბილ სარტყელში. სსრკ-ში (ყირიმი, კავკასია, შუა აზიის ზოგი რ-ნი) კულტივირებულია 11 სახეობა. საქართველოში 9 სახეობაა შემოტანილი და მათგან უფრო ფართოდ მოშენებულია მ ა რ ა დ მ წ ვ ა ნ ე კ. (C. sempervirens), — ხე, რ-ის სიმაღლე 30—60 *მ* აღწევს. ცნობილია მისი 2 ფორმა: პირამიდული და ჰორიზონტული. კ. *მეზოფიტია,* ყინვას — 20°C-მდე იტანს, ნიადაგის მიმართ საკმაოდ განურჩეველია. სამშობლოდ ჰიმალაის მთების სამხრ. კალთებს მიიჩნევენ. XIX ს-მდე პირამიდულ კ-ს საქართველოში *ალვის ხეს* ეძახდნენ. ეს სახელი დაერქვა საქართველოში მაზდეანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. სახელი „ალვის ხე" ანუ „წვის ხე" თავისი ვიწრო პირამიდული ჰაბიტუსის გამო მართლაც კარგად ესადაგებოდა მარადმწვანე კ-ს, როგორც მაზდეანური სარწმუნოების ემბლემას. საქართველოში იზრდება აგრეთვე ლ უ ზ ი ტ ა ნ უ რ ი, ჰ ი მ ა ლ ა ი უ რ ი, ა რ ი ზ ო ნ უ ლ ი და სხვ. კ-ები, რ-ებიც გამოყენებულია ქარსაფარ ზოლებად და დეკორ. ბალთმშენებლობაში.

ვ. მირზაშვილი.

კვიპაროზისებრნი (Cupressaceae), შიშველთესლოვან წიწვოვან მცენარეთა ოჯახი. ბუჩქები ან ხეებია. აქვთ ქერქლისებრი ან ნემსისებრი ფოთლები (წიწვები). მამრობითი გირჩა პატარაა და მოკლე ყლორტის წვერზე ზის. მწიფე გირჩა გახევებულია, იშვიათად ხორცოვანი და კენკრას წააგავს. მტვრის მარცვლებს არა აქვს საჰაერო პარკი. ოჯახში თავმოყრილია 20 გვარის 145 სახეობა, რ-ებიც გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროში. ბალებსა და პარკებში მოშენებულია *კვიპაროზი, ღვია, ბიოტა* და სხვ. მათ მერქანს იყენებენ ავეჯის წარმოებაში, სადურგლო და სახარატო საქმეში.

კვიპროსი, კუნძული ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილში. იხ. *კვიპროსი* (სახელმწიფო).

კვიპროსი, კ ვ ი პ რ ო ს ი ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (ბერძნ. Kýpros, Kypriakē Dēmokratía, თურქ. Kıbrıs, Kıbrıs Cumhuriyeti), სახელმწიფო დს. აზიაში, კ. კვიპროსზე, ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილში. შედის *ერთა თანამეგობრობაში.* ფართ. 9251 *კმ*². მოსახლ. 639 ათ. კაცი (1979). დედაქალაქი — ნიკოზია. ოფიც. ენა — ბერძნ. და თურქული. ეროვნ. დღესასწაულია 1 ოქტ.— დამოუკიდებლობის დღე (1960). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია კვიპროსის გირვანქა. 1 კვიპროსის გირვანქა = 2,77 აშშ-ის დოლარს (1979). ადმინისტრაციულად კ. იყოფა 6 ოლქად.

კ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1960 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის წარმომადგენელთა პალატას (ერთპალატიან პარლამენტს). სახელმწიფოს მეთაური — პრეზიდენტი (ბერძენი) და ვიცე-პრეზიდენტი (თურქი) ერთად ახორციელებენ აღმასრ. ხელისუფლებას — ნიშნავენ მინისტრთა საბჭოს (მთავრობას).

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. ნაპირები უმთავრესად დაბალია, ნაკლებად შეჭრილ-შემოჭრილი, ჩრდ-ით ციცაბო, კლდოვანი. ჭარბობს მთიანი რელიეფი. ჩრდ. ნაწილი უჭირავს კირენიისა (სიმაღლე 1023 *მ*-მდე) და კარპასის (სიმაღლე 364 *მ*-მდე) ქედებს, სამხრ. და ცენტრ. ნაწილი—ტროოდოსის მასივს (სიმაღლე 1951 *მ*-მდე), მათ შორის ფართო მესაორიის ვაკეა (სიმაღლე დაახლ. 200 *მ*). სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ქრომიტები, რკინისა და სპილენძის მადანი, აზბესტი და სხვ. ჰავა სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვის. ზაფხული ცხელი იცის (ტემპ-რა 25—35°C), ზამთარი — რბილი, შედარებით წვიმიანი (ტემპ-რა 10—15°C). ნალექები 300—500 *მმ*-იდან (ვაკეზე) 1000—1300 *მმ*-მდე (მთაში) წელიწადში. მდინარეთა კალაპოტები წყლით მხოლოდ წვიმის შემდეგ ივსება. მთისწინეთში 500 *მ*-მდე და ვაკეზე ჭარბობს მარადმწვანე ბუჩქნარი (მაკვისი, ფრიგანა), კირენიისა და კარპასის ქედების კირქვიან სამხრ. კალთებზე ღარიბი გასტეპებული მცენარეულობაა. ტყეს უჭირავს ქვეყნის ტერიტ. დაახლ. 20% (უმთავრესად ტროოდოსის მასივზე). ჭარბობს მუხა, კვიპაროზი, ალეპოს ფიჭვი. მთათა ხეობებში იზრდება ოლეანდრი, იალღუნი. ტყეში ბინადრობს მუფლონი. დამახასიათებელია გველი, ხვლიკი, ქამელეონი, ფრინველებიდან—არწივი, ძერა. ბევრია მიმომფრენი ფრინველი.

მოსახლეობა. მოსახლ. 78% კვიპროსელი ბერძნები შეადგენენ, 18% — კვიპროსელი თურქები. ცხოვრობენ აგრეთვე ინგლისელები, არაბები, სომხები, იტალიელები. რელიგიით ბერძნები მართლმადიდებლები არიან, თურქები — მუსლიმანი სუნიტები.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 35% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, 25% — დამუშავებითს მრეწველობასა და მშენებლობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 69 კაცი 1 *კმ*²-ზე (1979). მნიშვნელოვანი ქ-ებია: ნიკოზია (120 ათ. მცხ., გარეუბნებიანად, 1975), ლიმასოლი, ფამაგუსტა, ლარნაკა.

ისტორიული ნარკვევი. კ-ის ტერიტ. დასახლებული ყოფილა ნეოლითის ხანიდან (ძვ. წ. VI ათასწლ.). ძვ. წ. XVI—XIV სს-ში გაჩნდა აქ პირველი ადრინდ. კლასობრივი საზ-ბები, ქალაქ-სახელმწიფოები (პოლისები). XV ს. დამლევს — XI ს-ში მოხდა კ-ის ბერძნული (აქაველები) კოლონიზაცია, რის შედეგადაც კ. გახდა *მიკენის კულტურის* ერთ-ერთი ცენტრი.



მარადმწვანე კვიპაროზი: ა — მამრობითგირჩებიანი ტოტი; ბ—მდედრობითგირჩებიანი ტოტი; გ—მამრობითი გირჩა.

კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.



კვიპროსი. ანტიიმპერიალისტური დემონსტრაცია ქ. ლიმასოლში.

IX ს. დასაწყისიდან კ. ფინიკიელთა კოლონიზაციის ობიექტი იყო. VIII ს. დამლევს დაიპყრო ასურეთმა, დაახლ. 560 — ეგვიპტემ, დაახლ. VI ს. შუა წლებში — აქემენიდების ირანმა. 333—323 შედიოდა ალექსანდრე მაკედონელის, ხოლო 294—258 პტოლემეთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ დროისათვის დასრულდა კ-ის ელინიზაცია. ძვ. წ. 58 კ. დაიპყრო რომმა, ახ. წ. 395 შევიდა ბიზანტ. იმპერიის შემადგენლობაში. 648 დაიპყრეს არაბებმა, 965 ბიზანტიამ დაიბრუნა. 1191 კ. ხელთ იგდო ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე ინგლ. მეფე *რიჩარდ* ლომგულმა, რ-მაც კ. გადასცა იერუსალიმის სამეფოს. 1489 კ. დაიპყრო ვენეციის რესპუბლიკამ, ხოლო 1571 — ოსმალეთმა.

1878 წ. 4 ივნ. ინგლისმა თავს მოახვია ოსმალეთს ე. წ. კვიპროსის კონვენცია; ინგლისს მიეცა კ-ის ოკუპაციის უფლება იმ პირობით, რომ იგი დაეხმარებოდა ოსმალეთს აზიური პროვინციების დაცვაში. I მსოფლიო ომში ოსმ. ჩაბმის შემდეგ 1914 წ. 5 ნოემბ. ინგლისმა გამოაცხადა კ-ის ანექსია. 1925 მაისში კ-მა მიიღო ინგლ. კოლონიის სტატუსი.

XX ს-ში კ-ში იწყება კაპიტალიზმის განვითარება, ყალიბდება მუშათა კლასი. 1926 წ. 20 აგვ. შეიქმნა კ-ის კომპარტია, რ-იც სათავეში ჩაუდგა მშრომელთა ეროვნ.-განმათ. მოძრაობას ინგლ. კოლონიზატორების წინააღმდეგ. 1941 წ. 14 აპრ. დაარსდა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია (აკელ) — კვიპროსის კომპარტიის უშუალო მემკვიდრე. II მსოფლიო ომის წლებში აკელი აქტიურად მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1959 თებ. საბერძნეთსა და თურქეთს შორის ციურიხში, ინგლისს, საბერძნეთსა და თურქეთს შორის ლონდონში (კ-ის ბერძნული და თურქ. თემების წარმომადგენელთა მონაწილეობით) ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რ-ებიც ითვალისწინებდა კ-თვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, განსაზღვრავდა მომავალი კ-ის რესპ. სახელმწ. წესწყობილების საფუძვლებს, მაგრამ ამასთან ერთად ზღუდავდა მის სუვერენიტეტს. ინგლისმა შეინარჩუნა კ-ში სამხ. ბაზები და სამხ. მიზნებისათვის კ-ის გზებით, ნავსადგურებითა და აეროდრომებით სარგებლობის უფლება. კ-ში სამხ. კონტინგენტების ყოლის უფლება მაიღო თურქეთმა და საბერძნეთმაც.

1960 წ. 16 აგვ. კ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა (1963-იდან დღესასწაული აღინიშნება 1 ოქტ.). 1960 აგვ. კ-მა დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრკ-თან, 1960 სექტ. კ. მიიღეს გაეროს წევრად. საგარეო ურთიერთობათა სფეროში კ-ის მთავრობამ გამოაცხადა „პოზიტიური ნეიტრალიტეტისა" და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის პოლიტიკა.

1963 დამლევს კ-ის ბერძენ და თურქ მოსახლეობას შორის დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები, პროვოცირებული ნატოს სახელმწიფოთა მიერ.

1974 წ. 15 ივნ. კ-ის ეროვნ. გვარდიის ბერძენმა ოფიცრებმა, კ-ზე განლაგებული ბერძნ. კონტინგენტის სამხ. მოსამსახურეებთან და იატაკქვეშეთიდან გამოსული ტერორისტული ორგანიზაციის „ეოკა-2" რაზმებთან (რ-ებიც გამოდიოდნენ ენოზისის—საბერძნეთთან შეერთების — მოთხოვნით) ერთად მოაწყვეს მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყება. მაკარიოსი (რ-იც 1973 წ. 8 თებ. მესამედ აირჩიეს პრეზიდენტად) იძულებული გახდა დაეტოვებინა კ. მეამბოხეებმა „პრეზიდენტად" გამოაცხადეს „ეოკა-2-თან" მჭიდროდ დაკავშირებული რეაქციული მოღვაწე ნ. სამსონი. 20 ივნ. კ-ზე გადასხეს თურქ. ჯარები თურქ. თემის დაცვის მოტივით. დაიწყო ბრძოლა მეამბოხეებსა და თურქ. ჯარებს შორის. 20 ივლ. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია საომარი მოქმედების შეწყვეტის, კ-იდან უცხოეთის ჯარების გაყვანისა და კონსტ. მთავრობის დაუყოვნებლივ აღდგენის თაობაზე. 22 ივლ. საბერძნეთი და თურქეთი შეთანხმდნენ შეეწყვიტათ ბრძოლა. პრეზიდენტის მოვალეობა დროებით იკისრა გ. კლერიდისმა. ივლ.-აგვ-ში ჩაიშალა ინგლ., თურქ. და საბერძნ. საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება კ-ის საკითხის მოგვარების შესახებ. თურქეთმა განაახლა საომარი მოქმედება და დაიკავა კ-ის ტერიტ. 40%, რის შედეგადაც ოკუპირებული ტერიტ. დატოვა 200 ათ. კვიპროსელმა ბერძენმა.

1975 წ. 13 თებ. თურქ. თემის ხელმძღვანელობამ ცალმხრივად თურქ. ჯარების მიერ დაკავებულ კ-ის ტერიტორიაზე გაცალკევებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის „კვიპროსის რესპუბლიკის ფედერაციული თურქული სახელმწიფოს" შექმნა გამოაცხადა. კ-ის მთავრობამ დაგმო ეს ნაბიჯი, როგორც კიდევ ერთი ცდა, რ-იც ძირს უთხრიდა კ-ის სახელმწიფოს. 1977 წ. 27 იანვ.—12 თებ. შედგა პირველი ოფიც. კონტაქტები (1963 შემდეგ) პრეზიდენტ მაკარიოსსა და თურქ. თემის ლიდერს რ. დენქთაშს შორის. კონტაქტებს შედეგი არ მოჰყოლია. მაკარიოსის სიკვდილის (1977 წ. 3 აგვ.) შემდეგ 1978 იანვ. პრეზიდენტად გამოცხადდა წარმომადგენელთა პალატის თავ-რე ს. კიპრიანუ.

ეკონომიკა. კ. უმთავრესად აგრ. ქვეყანაა. მეურნეობაში მძლავრი პოზიციები უჭირავს უცხოეთის კაპიტალს. მიწის 1/3-ზე მეტი ეკუთვნის სახელმწიფოს, სამღვდელოებას, დიდ მემამულეებს. სოფ. მეურნ. წამყვანი დარგია მიწათმოქმედება. მოჰყავთ (ათ. ტ, 1978): ხორბალი — 30, ქერი — 85, კარტოფილი — 165, შვრია, პარკოსანი და ბაღჩეული კულტურები, აშენებენ ციტრუსებს (90 ათ. ტ, 1978), ვაზს (185 ათ. ტ ყურძენი, 1978), კერატს, თამბაქოს, ნუშს, ბროწეულს, ზეთისხილს. არის კაკლის კორომები. მთიან რ-ნებში მისდევენ მეცხოველეობას. განვითარებულია მეაბრეშუმეობა. სანაპირო რ-ნებში იჭერენ თევზსა და ღრუბელს.

მრეწვ. პროდუქციის ღირებულების 2/3-ს იძლევა დამუშავებითი, 1/3-ს — მოპოვებითი მრეწველობა. იღებენ სპილენძისა და რკინის მადანს, ქრომიტებს, აზბესტს, მარილს, თაბაშირს. ელექტროსადგურები მუშაობს შემოტანილ ნავთობზე. განვითარებულია კვების (ღვინის, ზეითუნის ზეთის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება), საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლისა და სხვ. მრეწველობა. არის ცემენტის, ნავთობგადასამუშ. საწარმოები, განვითარებულია შინამრეწველური წარმოება.

საავტ. გზების სიგრძეა 8,4 ათ. *კმ*, მ. შ. 3,7 ათ. *კმ* მოასფალტებულია (1971). საგარეო გადაზიდვები ხდება უმთავრესად უცხოეთის გემებით. მთავარი საზღვ. ნავსადგურებია ფამაგუსტა და ლიმასოლი. მთავარი აეროპორტია ნიკოზიაში.

1978 ექსპორტმა შეადგინა 106 მლნ. გირვანქა, იმპორტმა — 280 მლნ. გააქვთ მინერ. ნედლეული, ციტრუსები, კარტოფილი, ღვინო და სპირტი. შეაქვთ მანქანა-მოწყობილობა, ავტომობილები, სასურსათო საქონელი, ქიმიკალიები, ნავთობ-პროდუქტები. საგარეო-სავაჭრო ბრუნვის 47,4% მოდის ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებზე, 7,1%—სოციალ. ქვეყნებზე. ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ტურიზმი.

განათლება. ბერძნ. და თურქ. თემებში სახ. განათლების სისტემა ისტორიულად ცალ-ცალკე ჩამოყალიბდა. 1962-იდან 6—12 წლის ასაკის ბავშვებისათვის შემოღებულია სავალდებულო დაწყ. სწავლება მშობლიურ ენაზე. დაწყ. და საშ. (2-საფეხურიანი) სკოლები 6-წლიანია. დაწყ. სკოლასა და საშ. სკოლის I საფეხურზე სწავლება უფასოა. საშ. სპეც. სასწავლებლები (ტექ. ინ-ტი, პედ. აკადემია, სატყეო კოლეჯი და სხვ.) მუშაობს საშ. სკოლის პირველი საფეხურის ბაზაზე. 1976 ბერძნ. სასწავლებელთა სისტემის 550-ზე მეტ დაწყ. სკოლაში სწავლობდა 70 ათასზე მეტი მოსწ., 70 საშ. ზოგადსაგანმან. სკოლაში—35 ათასამდე მოსწავლე, 30-მდე საშ. სპეც. სასწავლებელში—5 ათასზე მეტი მოსწავლე. თურქ. სასწავლებელთა სისტემის 230-მდე დაწყ. სკოლაში სწავლობდა 17 ათასამდე მოსწავლე, 15 საშ. ზოგადსაგანმან. სკოლასა და 4 საშ. — სპეც. სასწავლებელში — 7,6 ათ. მოსწავლე. არის 4 სომხ. და 5 სხვა სკოლა. უმაღლესი სასწავლებლები არ არის (1976 სსრკ-ში სწავლობდა 260-მდე კვიპროსელი სტუდენტი).

ნიკოზიაში არის საჯარო ბ-კა ფანერომენი (1934; 35 ათ-მდე ტ.), მაამუდ II-ის საჯარო თურქ. ბ-კა (4 ათ. ტ. აღმ. ენებზე), კ-ის მუზეუმი (1883), ხალხ. ხელოვნ. მუზეუმი (1950), კ-ის თურქ. მუზეუმი, ეროვნ. რელიკვიათა მუზეუმი (1962).

კულტურა. კ-ის ლიტ-რა ბერძნ. და თურქ. ენებზე იქმნება. ბერძნულენოვანი ლიტ-რა წარმოიშვა და ვითარდება ბერძნ. ლიტ-რასთან მჭიდრო კავშირში. პირველი ძეგლებია სტასინეს (ძვ. წ. VII—VI სს.) „კვიპროსული თქმები" და „ჰომეროსული ჰიმნები". კ-ის დიალექტზე ჩაიწერა „აკრიტული სიმღერები" (VIII—X სს.). XIV ს-ში იქმნებოდა „სატრფიალო ლირიკა". XV ს-ში ჩაიწერა ლ. მახერასის ისტ. ქრონიკები, რ-იც XVI ს-ში გ. ვუსტრონისმა გააგრძელა. საეკლ. ლიტ-რას ძირითადად პოეზია წარმოადგენდა. ლიტ-რის განვითარება შეაფერხა თურქთა მიერ კ-ის დაპყრობამ (1571). ამ პერიოდში ძირითადად ვითარდებოდა ხალხ. ზეპირსიტყვიერება. დამწერლობითი ლიტ-რის აღმავლობა დაიწყო XIX—XX სს. მიჯნაზე. უმთავრესად წერდნენ ახ. ბერძნ. სალიტ. ენაზე. თანდათანობით გამოიკვეთა პროგრ. მწერალთა ახალგაზრდა თაობა (ა. პილიოტისი, გ. კონსტანდისი, პ. პეონიდისი და სხვ.). თურქ. ენაზე უმთავრესად პოეზია იქმნება. პროზა და დრამატურგია მხატვრული თვალსაზრისით შედარებით დაბალ დონეზეა.

კ-ის ტერიტორიაზე შემონახულია ადრინდ. შუა ნეოლითისა (ხიროკიტიის დასახლება, კერამიკა) და ბრინჯაოს ხანის (მოხატული კერამიკა, ქვისა და თიხის კერპები) ძეგლები. გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. 1400—1050) აყვავდა კვიპროს-მიკენის ხელოვნება. მონუმ. ქანდაკება (ძვ. წ. VI ს. დასასრ.) ვითარდება ბერძნ. არქაიკის გავლენით. ძვ. წ. IV — ახ. წ. IV სს-ში გაძლიერდა ბერძნ. კლასიკური და ელინისტური, შემდეგ — რომის

კვიპროსი. ქალაქი კირენია.

ხელოვნ. გავლენა. კ-ის ადრინდ. ბიზანტ. ხელოვნ. ნიმუშია VI—VII სს. დიდებული მოზაიკა (პანაგია ანგელოზტიტეს ეკლესია კიტიონის მახლობლად). XI — XIII სს. მიეკუთვნება წმ. ნეოფიტეს ეკლესია პაფოსის მახლობლად, XIII—XV სს. — გოტიკის ძეგლები, ვენეციის ხანის (1489—1571) — ფამაგუსტისა და კირენიის ციხესიმაგრეები, ხატები. თურქების დროს კ-ში გაშენდა მეჩეთები, ინგლისელთა ბატონობის ხანაში — XIX ს. კლასიციზტური და თანამედროვე არქიტ. შენობები. 1960-იან წლებში მოღვაწეობდნენ არქიტექტორები ს. იკონომუ, ძმები მიხაილიდისები და სხვ., ფერმწერები ა. დიამანდისი, გ. გეორგიუ და სხვ. ხალხ. შემოქმედების დარგებია ხეზე კვეთა, კერამიკა, ჭედურობა, ქარგვა.

კ-ის მუს. ხელოვნებას უძველესი ისტორია აქვს. პროფ. მუს. კულტურა ყალიბდება XX ს. დასაწყისში. პირველი სახელოვანი კომპოზიტორები არიან სოლონ და იანგოს მიხაილიდისები. ს. მიხაილიდისმა დააარსა ლიმასოლის კონსერვატორია (1934), კ-ის პირველი სიმფ. ორკესტრი (1938) და ნიკოზიის საკონცერტო საზ-ბა, შექმნა სიმფ., კამერული ნაწარმოებები, ოპერები; ავტორია გამოკვლევისა მუსიკის ისტ. და თეორიის დარგში. ი. მიხაილიდისი საზ. „მოცარტის" (1938) და კ-ის რადიოსა და ტელევიზიის სიმფ. ორკესტრის (ერთადერთი პროფ. მუს. კოლექტივის) ერთ-ერთი დამაარსებელია. თანამედროვე კომპოზიტორები არიან ა. ლიმბურდისი, გ. კოცონისი, მ. ვიოლარისი და სხვ. კ-ის რამდენიმე ქალაქში არის კონსერვატორიები და მუს. სასწავლებლები.

ლიტ.: Кипр, М., 1969; Леонидов С М., Кипр в борьбе за независимость, М., 1963; Уразова Е. И., Кипр, М., 1966.

კვიპროსის კონვენცია, იხ. *ინგლისოსმალეთის ხელშეკრულებები 1799, 1809, 1878.*

კვირა, შვიდდღიანი დროის შუალედი, რ-შიც თითოეულ დღეს საკუთარი სახელწოდება აქვს; აგრეთვე მეშვიდე დღის სახელწოდება. შვიდდღიანი კ. პირველად ძვ. აღმოსავლეთში შემოიღეს; ახ. წელთაღრიცხვის I ს-ში რომშიც დაკანონდა, იქიდან კი მთელ დას. ევროპაში გავრცელდა. კ-ის დღეებს ციურ სხეულთა სახელწოდებანი შეარქვეს, მაგ., შაბათს უწოდეს სატურნის დღე. კვირას და დანარჩენ დღეებს შესაბამისად — მზის, მთვარის, მარსის, მერკურის, იუპიტერის, ვენერას დღეები. ძვ. ქართულში ამ ციურ სხეულთა სახელწოდებების შესაბამისად კ-ის დღეებს ერქვა: კრონოსისა, მზისა ან საუფლო, ჩთოვარისა, არისი, ერმისა, აფროდიტეა და დიოსისა. ზოგ ხალხში გავრცელებული იყო ხუთ- და ათდღიანი კ-ებიც.

კვირია. ძველი ქართული წარმართული ღვთაება აღმ. საქართვ. მთიელთა წარმოდგენი თანახმად, ღვთისშვილთა წინამდგომია სალოცავებში ღმერთის შემდგომ მე-2 ან მე-3 ადგილას იხსენიება. მას საპატიო ადგილი ეკავა ღვთის კარზე დანარჩენ ღვთისშვილთა შეკრებისას. ზოგიერთ სას. ტექსტში შეიმჩნევა მისი განდიდებისა და დანარჩენ ღვთაებებზე ამაღლების ტენდენცია. კ. ითვლებოდა ერთადერთ ღვთაებად, რ-საც ღმერთთან მისვლა შეეძლო და ეკისრებოდა შუამავლობა დანარჩენ ღვთისშვილთა და უზენაეს ღვთაებას შორის. იმავე წარმოდგენებით, კ. უშუალოდ მართავდა ქვეყნიერებას უზენაესის—მორიგე უმერთის დადგენილი წესის მიხედვით. მისი ეპითეტებია: „ხმელთ მოურავი", „კარავიანი", „დიდი", „ღვთის კარზე მოარული", „ძალი ღვთისა" და ა. შ.

სვანეთში კ. აგრარულ ღვთაებად ითვლებოდა, განაგებდა ტაროსს, მიწის ნაყოფიერებას, ადამიანთა და ცხოველთა გამრავლებას. ხალხ. გადმოცემებით, კ. იხსენიება „წყლის ბერად", „ცის მზედ", „მიწად", „ცისა და მიწის მონაწილედ". მის სახელზე ადრესაგაზაფხულო დღეობათა მთელი ციკლი იმართებოდა, სადაც კ. წარმოდგენილი იყო სქესობრივი ძალის მფარველად, ნაყოფიერების მამრ. ღვთაებად.

ლიტ.: ქართული ხალხური პოეზია, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 1, თბ., 1960.

ი. სურგულაძე.

კვირიასხევი, სოფელი თიანეთის რ-ნში (ღულელების სოფსაბჭო), ერწოს ქვაბულში. ზ. დ. 1080 *მ*, თიანეთიდან 31 *კმ*. ერწოს მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. ღულელებში (1 *კმ*).

კვირიაული, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (უჩამბის სოფსაბჭო), მდ. გუდნისწყლის (აჭარისწყლის აუზი) ნაპირებზე. ზ. დ. 520 *მ*, შუახევიდან 7 *კმ*. სამოლეთის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მეევნახეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. სამოლეთში (3 *კმ*). ბ-კა, ამბულ., საფოსტო განყ-ბა.

კვირიკე I, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 892—918. მისი მმართველობის დროს საქართველოს შემოესია აბუ ლ-კასიმი (იხ. *აბუ ლ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში 914*) და დაიპყრო კახეთის ციხეები უჯარმა და ბოჭორმა. კ. I დაუზავდა მას და უჯარმა დაიბრუნა. დაახლ. 915 კ. I-მა აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-თან ერთად გაილაშქრა ჰერეთის წინააღმდეგ. მოკავშირეებმა დაიპყრეს და გაინაწილეს ჰერეთის პუნქტები არიში (ახლანდ. მთისძირი), გავაზი (ახლანდ. ახალსოფელი), ორჭობი. კ. I-ს ერგო ორჭობი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰერეთის მეფემ ადარნასე პატრიკმა ისარგებლა კახეთის სამთავროს საგარეო-პოლიტ. ვითარების გართულებით და დაკარგული ტერიტ. დაიბრუნა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ : ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

კვირიკე II, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 929—976. მას განუდგნენ გარდაბნელი აზნაურები და მხარი დაუჭირეს გიორგი II აფხაზთა მეფეს, რ-იც იბრძოდა კახეთის შესაერთებლად. კ. II-ს უღალატა მისმა ძმამ შურტამ და აფხაზთა მეფეს გადასცა უჯარმის ციხე. გიორგი II-მ დაიპყრო ბოჭორმის, ლოწობნის და ნახჭევნის ციხეებიც. კ. II-მ თავი დამარცხებულად ცნო. მაგრამ მას დაეხმარნენ ქართლის აზნაურები და კახეთი დაიბრუნა. 957 აფხაზთა მეფემ თავისი შვილი, ქართლის ერისთავი ლეონი, გაგზავნა კახეთის დასამორჩილებლად, მაგრამ გიორგი II-ის გარდაცვალებამ აიძულა ლეონი დაზავებოდა კ. II-ს, რ-მაც თავი აფხაზთა მეფის ვასალად ცნო. რამდენიმე ხნის შემდეგ *ლეონ III-მ* განაახლა ბრძოლა კახეთის წინააღმდეგ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. კ. II-მ მთლიანად აღადგინა თავისი სამფლობელო და საზღვრები არაგვის დას-ითაც კი გადაიტანა. 70-იან წლებში შინაფეოდ. ომებმა აფხაზთა სამეფო დასუსტა. ამით ისარგებლა კ. II-მ და დაიწყო ბრძოლა ქართლისათვის, მაგრამ უშედეგოდ.

წყარო: ეატუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

თ. პაპუაშვილი.

კვირიკე III, კახეთ-ჰერეთის მეფე 1010—37. მისი მმართველობის დროს სამეფომ სახელმწიფოებრივ, ადმ. და სამხ. ძლიერებას მიაღწია. კ. III-მ გააერთიანა კახეთ-ჰერეთი და მიიღო მეფის ტიტული. სამეფო დაყო ადმ. ერთეულებად — 7 საერისთავოდ (რუსთავის, კვეტერის, პანკისის, ხორნაბუჯის, ვეჯინის, მაჭის და შტორის). სამეფოს დედაქალაქი გახდა თელავი. დაახლ. 1027—32 კ. III-ის ინიციატივით მოწყო კოალიციური ლაშქრობა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ. მონაწილეობდნენ ქართლის ფეოდალები ლიპარიტ ბალვაში და ივანე აბაზასძე, თბილ. ამირა ჯაფარი და სომეხთა მეფე დავითი. მდ. ეკლეცზე საქართვ. ლაშქარმა ფადლონი დაამარცხა. დაახლ. ამავე წლებში კ. III-მ სძლია ოსთა მეფე ურდურეს, ბრძოლაში ურდურე მოკლეს. 1037 კ. III მონაწილეობდა ლიპარიტ ბალვაშის მიერ თბილ. ამირას წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. თბილ. ხანგრძლივი ალყის დროს კ. III მოუკლავს ოს მონას „სისხლისათვის ოვსთა მეფისა ურდურესი" (ვახუშტი ბატონიშვილი).

წყარო იხ. სტ-ფან კვირიკე II.

ლიტ.: პაპუაშვილი თ, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

კვირიკე IV, კახეთ-ჰერეთის მეფე 1084—1102 ან 1104. მისი მეფობის უკანასკნელ წლებში დავით აღმაშენებელმა დაიწყო ბრძოლა კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის. 1101 მან კ. IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა.

წყარო: ეატუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

კვირიკე, სოფელი სამტრედიის რ-ნში (გომის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 160 *მ*, სამტრედიიდან 18 *კმ*. გომის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა სოფ. გორმაღალში (2 *კმ*).

კვირიკე, სოფელი სამტრედიის რ-ნში (ნაბაკევის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 40 *მ*, სამტრედიიდან 7 *კმ*. ნაბაკევის ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა). საშ. სკოლა სოფ. ნაბაკევში (2 *კმ*). ბ-კა.

კვირიკე, სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში, მდ. კინტრიშის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე). ზ. დ. 90 *მ*, ქობულეთიდან 4 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). რვაწლ. და საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კვირიკე ბანელი, ქართველი საეკლესიო მოღვაწე *ადარნასე II-ის* დროს. ბანის საკათედრო ტაძრის მშენებელი და მისი პირველი ეპისკოპოსი.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

კვირიკეთი, სოფელი მახარაძის რ-ნში (შემოქმედის სოფსაბჭო), მდ. ბჟუჟის (ნატანების მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 75 *მ*, მახარაძიდან 1,5 *კმ*. წითელმთის ნ. კალანდარიშვილის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, ნ. კალანდარიშვილის სახლ-მუზეუმი.

კვირიკიდები, კვირიკიანები, სომეხი ბაგრატუნების ერთი შტო შუა საუკუნეებში, ტაშირ-ძორაგეტის (ლორე-ტაშირი) ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი დინასტია (978—1118). დააარსა გურგენმა (კვირიკე, 978—989). კ-ის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა გურგენის მემკვიდრის დავით I „უმიწაწყლოს" (989—1048) და კვირიკე II-ის (1048—89) დროს. უკანასკნელი ერთადერთი დამოუკიდებელი მმართველი იყო სომეხ ბაგრატუნთა შორის და მეფის ტიტულსაც კი ატარებდა. მან საკუთარი ფულიც მოჭრა, მაგრამ დამოუკიდებლობა ღიდხანს ვერ შეინარჩუნა — საქართვ. მეფის *ბაგრატ IV-ის* მოხარკე გახდა. 1118 დავით IV აღმაშენებელ-

ოქროსყელა კვირიონი.

მშვენიერი კვირისტავა.

კვირტი- თესლოვანი მცენარის კენწრული კვირტის სიგრძივი ჭრილი (სქემა): ქვედა ფოთლების ჩანასახის უბეებში ჩანს უბის კვირტების ჩანასახები.

კვირტის ტიპები: 1—ვერხვის დახურული კვირტები (ა—ვეგეტატიური, ბ—საყვავილე); 2—იასამნის კვირტის გაშლის დასაწყისი (ჩანს კვირტის ქერქლები და გარდამავალი ფოთლები); 3—შხამას კვირტის გაშლის დასაწყისი (ჩანს კვირტის ქერქლები).

გ. კვიტკა-ოსნოვიანენკო.

მა თურქ-სელჩუკებისაგან განთავისუფლებული ლორე-ტაშირი უშუალოდ საქართველოს შემოუერთა და კ-ის სამეფო საბოლოოდ გააუქმა. ამის შემდეგ კ. კვლავ იხსენიებიან (XIII ს. დასაწყ.), მაგრამ უკვე როგორც ტავუშისა და მაწნაბერდის მფლობელები.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, «მაცნე», 1968, № 6; მელიქსეთ-ბეგი ლ., „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა, ტფ., [1928]; Лордкипанидзе М. Д., История Грузии XI — начала XIII века, Тб., 1974.

გ. მაისურაძე.

კვირიკობისთვე, იხ. *ივლისი.*

კვირიონი (Merops), ფრინველთა ქვერიგი *ყაპყაპისნაირთა* რიგისა. შეიცავს 1 ოჯახის 7 გვარსა და 25 სახეობას. სხეულის სიგრძე 30 *სმ* აღწევს, მასა 50 გ. აქვთ გრძელი, ქვემოთკენ წახრილი ნისკარტი, მოკლე ფეხები. გავრცელებულია სამხრ. ევროპაში, აზიაში, ჩრდ. აფრიკასა და მადაგასკარზე, ავსტრალიაში. სსრკ-ში გვხვდება კ-ის 2 სახეობა: ოქროსფერი (Merops apiaster), რ-იც საქართველოში ბუდობს, და მწვანე (M. superciliosus) — შემომფრენი. კ-ები ბინადრობენ ღია ადგილებში. ბუდობენ კოლონიებად. დედალი დებს 6—8 კვერცხს, კრუხობს 18—20 დღე. იკვებებიან მწერებით, რ-საც იჭერენ ჰაერში. ფუტკრების განადგურებით ზიანს აყენებენ მეფუტკრეობას. *რ. ჟორდანია.*

კვირისტავა (Zinnia), ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. 20-მდე სახეობა ველურად იზრდება ჩრდ. და ცენტრ. ამერიკაში. დეკორ. მებაღეობაში გავრცელებულია მშვენიერი კ. (Z. elegans), რ-ის ყვავილედში არის 2 სახის — ენისებრი და მილისებრი ყვავილი, ფერად თეთრი, ვარდისფერი, წითელი, ალისფერი, ნარინჯისფერი და იისფერი. კ-ს ყვავილის დიამეტრი 12—14 *სმ* აღწევს. ცნობილია აგრეთვე კ. ჰაგეანა (Z. Haageana), რ-საც მოყვითალო-ნარინჯისფერი ყვავილები აქვს. კ-ს იყენებენ კლუმბებისა და რაბატების შესაქმნელად, ბორდიურებად და ყვავილწნულებისათვის. *გ. მანგაძე.*

კვირიტები (ლათ. Quirites), მოქალაქეების სახელწოდება რესპუბლიკის დროინდელ ძვ. რომში. იხმარებოდა ოფიც. მიმართვისას (Populus Romanus Quiritium). ტერმ. „კ". ნაწარმოებია co-uiria-დან (კურია, მამაკაცთა კავშირი). თავდაპირველად კ. კურიების წევრები იყვნენ, რ-თა ერთობლიობამ (რომის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში) შეადგინა რომის მოქალაქეობა (მათ განსაკუთრებულ უფლებას წარმადგენდა „კვირიტული უფლება" და „კვირიტული საკუთრება").

კვირტი (gemma), უმაღლესი მცენარეების ყლორტის ჩანასახი. განარჩევენ ვეგეტატიურ და გენერაციულ ანუ საყვავილე კ-ებს. ვეგეტატიური კ. შედგება მოკლე ჩანასახოვანი ღეროსა (წვერზე ზრდის კონუსით) და ღეროზე განლაგებული განსხვავებული ასაკის ფოთლების ჩანასახისაგან, რ-ებიც მჭიდროდ ეკვრიან ღეროსა და ერთმანეთს. გენერაციულ კ-ში ფოთლების ჩანასახთან ერთად ყვავილების და ყვავილედების ჩანასახიცაა. კ-ის გარეთა ფოთლები ან მათი ნაწილები (თანაფოთლები, ფოთლის ფუძე, ყუნწის ნაწილი) ზოგჯერ მფარავ ქერქლებად გადაიქცევა. ასეთ კ-ს დახურული ეწოდება და ცივი და ზომიერი სარტყლის მცენარეთა უმეტესობას აქვს. ღია ანუ შიშველი კ. (ქერქლების გარეშე) მეტწილად ტენიანი ტროპ. ტყის ხეებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა ხშირად გვხვდება ზომიერ სარტყელშიც არამოზამთრე, ხან კი მოზამთრე ყლორტებზე.

მდებარეობის მიხედვით განასხვავებენ კენწრულ ანუ ტერმინალურ და გვერდით კ-ებს. კენწრული კ. უზრუნველყოფს ყლორტის სიმაღლეზე ზრდას, გვერდითი კი — გვერდითი ყლორტების წარმოქმნის გზით მცენარის დატოტვას. გვერდითი კ. ფოთლების იღლიაში ვითარდება და უბის ანუ აქსილური კ. ეწოდება. კ-ის განლაგება ღეროზე ფოთოლთგანლაგების კანონს ექვემდებარება. კ. ჩვეულებრივ მჯდომარეა ან იშვიათად ყუნწზე ზის. კ-ში ერთმანეთის მიმართ ფოთლების განლაგებას კვირტთწყობა ანკვირტთშეკვრა ეწოდება. ცალკეული ფოთლის ფირფიტის მოკეცვის მიხედვით კ-ში არჩევენ ფოთოლთწყობის რამდენიმე ტიპს. კვირტთწყობა და ფოთოლთწყობა მემკვიდრეობითი ხასიათის ნიშნებია და გამოიყენება მცენარეთა სისტემატიკაში. ზრდასრული ღეროს, ფესვის ან ზოგჯერ ფოთლის ქსოვილების შიგა ფენებში წარმოიქმნება დამატებითი ანუ ადვენტური კ. უფრო ხშირად ასეთი კ. ვითარდება ფესვზე (ნუში, ჟოლო, ხვართქლა და სხვ.) და მისგან მიწისზედა შეფოთლილი ყლორტები — ფესვის ამონაყრები წარმოიქმნება. დამატებითი კ. წარმოიქმნება ფესვის კალმებზეც. ფოთლებზე ადვენტური კ. უვითარდება ბეგონიას, სუმბულს, შროშანას და სხვ. მცენარეებს, თუ მათ ფოთლებს მოვათავსებთ ნესტიან ქვიშაში. ზოგჯერ ფოთლებზე დამატებითი კ. ვითარდება დედა მცენარისაგან მოუშორებლად. მაგ., ბრიოფილუმის ფოთლის კიდეებზე წარმოიქმნება კვირტები, რ-ებიც ოდნავი შეხებით შორდება დედა მცენარეს და დამოუკიდებელ ორგანიზმად ვითარდება. ასეთი ჩეკია კ. ხშირად ფოთლის უბეში და ყვავილებზეც ვითარდება. ყველა კ. ერთდროულად არ იშლება, ზოგს მოსვენების საკმაოდ გრძელი პერიოდი ახასიათებს და მძინარე კ. ეწოდება. ისინი იშლება მათ ზევით მდებარე ღეროების და ყლორტების დაზიანებისას. მძინარე კ-ს ფართოდ იყენებენ მეხილეობასა და დეკორ. მებაღეობაში. კ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლებისათვის. *ზ. ღვინინაძე.*

კვირტით მყნობა, იხ. *მყნობა.*

კვირჩხლა (Phoxinus), მტკნარი წყლის თევზების გვარი კობრისებრთა ოჯახისა. მათი სხეულის სიგრძე 20 *სმ* აღწევს. გვარში 10-მდე სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია ევროპაში, აზიაში და ჩრდ. ამერიკაში. სსრკ-ში გვხვდება 8 სახეობა, საქართველოში 1 ქვესახეობა (Ph. phoxinus colchicus). ტოფობს ზაფხულში. ყრის 200—900 ცალ ქვირითს. იკვებება ბენთოსით. კ-ს სარეწაო მნიშვნელობა აქვს იაკუტიაში, საქართველოში კი სარეველა თევზია. *მ. დემეტრაშვილი.*



ტბის კვირჩხლა.

კვისლინგი (Quisling) ვიდკუნ (18. VII. 1887, სოფ. ფიურესდალი, ტელემარკის ოლქი, — 24. X. 1945, ოსლო), ნორვეგიელი ფაშისტების ლიდერი. 1918 აპრ.-დეკ. სამხ. ატაშე პეტროგრადში, 1920 ოქტ. — 1921 მაისამდე — ჰელსინკიში. 1931—33 სამხ. მინისტრი. 1933 მაისში ჩამოყალიბა ფაშისტური პარტია „ნაციონალური გაერთიანება". ხელს უწყობდა ფაშისტური გერმანიის მიერ ნორვ. დაპყრობას (1940 აპრ.). 1942 წ. 1 თებ-იდან ნორვ. მარიონეტული მთავრობის პრემიერ-მინისტრი. მკაცრად გაუსწორდა ნორვ. პატრიოტებს. ნორვ. განთავისუფლების შემდეგ დახვრიტეს. მისი სახელი მოღალატის სიმბოლოდ იქცა.

კვიტაიშვილი ემზარ დავითის ძე (დ. 27. XI. 1935, თბილისი), ქართველი საბჭოთა პოეტი, ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1969). სკკპ წევრი 1966-იდან. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1959). პირველი ლექსები 1957 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი „გზაში ნათქვამი სიმღერა" — 1963. ავტორია ლექსების კრებულებისა „მწვანე აფრები" (1968), „გახსენება" (1971), „გადარჩენილი სალამური" (1974), „ხე ცხოვრებისა" (1976); გამოკვლევისა „ვაჟა-ფშაველას რითმა" (1971) და სხვ.

კვიტაშვილი გიორგი ვლასის ძე [30. IV (13. V). 1902, დაბა ლანჩხუთი, ახლანდ. ლანჩხუთის რ-ნი,—24. XII. 1979, თბილისი], ქართველი საბჭ. ინფექციონისტი, მედ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1951), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). სკკპ წევრი 1940-იდან. 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1941—45 იყო 47-ე არმიის მთავარი ეპიდემიოლოგ-ინფექციონისტი. 1954—79 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის ინფექციურ სნეულებათა კათედრას. კ. შეისწავლიდა ნაწლავების და ვირუსულ-ინფექციურ დაავადებათა კლინიკასა და მკურნალობას. დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, დიდი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის 2 ორდენით და მედლებით.

თხზ.: დიფთერია, თბ., 1961; მწვავე ინფექციური დაავადებანი, გამოც. მე-2, თბ., 1977 (თანაავტ.: დ. სვანიძე), სალმონელოზი, თბ., 1976 (თანაავტ.: ს. ჯაფარიძე).

კვიტკა-ოსნოვიანენკო (ნამდვ. გვარი კვიტკა) გრიგოლ თეოდორეს ძე [18 (29). XI. 1778, სოფ. ოსნოვა, ახლანდ ხარკოვის გარეუბანი, — 8(20). VIII. 1843, ხარკოვი], უკრაინელი მწერალი. წერდა რუს. (1816-იდან) და უკრ. (1833-იდან) ენებზე. მისი პირველი კომედია „დედაქალაქიდან ჩამოსული ანუ აურზაური სამაზრო ქალაქში" (1827, დაიბეჭდა 1840) სიუჟეტურად წააგავს ნ. გოგოლის „რევიზორს". კ.-ო-ს მახვილი სატირული კომედია „აზნაურთა არჩევნები" (1829) ცენზურამ აკრძალა. რუს. ნატურალისტური სკოლის ერთგულება ჩანს მის რომანში „პან ხალიავსკი" (1839), კომედიაში „შელმენკო-დენშჩიკი" (1840) და სხვ. მამხილებელი ტონის მიუხედავად, რუს. კომედიებში მჟღავნდება მწერლის კლასობრივი შეზღუდულობაც.

უკრ. ლიტ-რაში მან პირველმა ასახა მდაბიო ხალხის მძიმე ცხოვრება (მოთხრობათა კრებ. 1834, 1837).

კვიტკო ლევ მოსეს ძე (15. X. 1890, სოფ. გოლოსკოვო, უკრაინა, — 12. IX. 1952), ებრაელი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1929-იდან. წერდა *იდიშზე.* ლექსების წერა ადრე დაიწყო. მისი პოემა „წითელი ქარიშხალი" (1918) ებრ. ლიტ-რაში პირველად გამოეხმაურა ოქტ. რევოლუციას. კ-ს პოეზიას ახასიათებს ლირიზმი, ოპტიმისტური განწყობილება. კეთილი იუმორითაა გამსჭვალული კ-ს ავტობიოგრ. მოთხრობა „ლიამი და პეტრიკი" (1958), ზღაპრები, იგავები, სიმღერები.

კვიცარიძე დავით ვასილის ძე (დ. 2. V. 1920, ქუთაისი), ქართველი საბჭ. მწერალი. სკკპ წევრი 1953-იდან. დიდი სამამულო ომის მონაწილე. 1957-იდან საქართვ. მწერალთა კავშირის ქუთ. განყ-ბის

პ/მგ. მდივანია. პირველი ლექსი 1947 გამოაქვეყნა. პირველი წიგნი—მოთხრობა პარტიზანებზე „ორდიშეეის ტყეში" — 1957, ლექსთა პირველი კრებ. „გზა" — 1959. კ-ს ეკუთვნის მოთხრობათა კრებულები „კოცონი" (1963), „მოთხრობები" (1967), „ბილიკი ტყეში" (1976); რომანები „სადა ხარ, მარინე" (1965), „ნდობა" (1968), „მშვიდობით, უსიერო ტყეებო" (1973), „ძეგლები მიწას არ ამძიმებენ" (1977), „მწვანე ქალაქი" (1978), პიესები და სხვ. კ-ის თხზულებანი თარგმნილია რუს., უკრ., ბელორ., სომხ., ოსურ, აფხ., პოლ., ენებზე. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, აგრეთვე მედლით.

კვიცი (ლათ. Equuleus), ცის ეკვატორთან მდებარე *თანავარსკვლავედი.* მისი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავები დაახლ. მე-4 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა.* დაკვირვების საუკეთესო პირობებია ივლის-აგვ-ში. ჩანს სსრკ-ის მთელი ტერიტორიიდან.

კვიწინია ლევარსი ბიდოს ძე (31. XII. 1912, სოფ. ათარა, ახლანდ. ოჩამჩირის რ-ნი, — 1941, ბელოსტოკის მახლობლად), აფხაზი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1932-იდან. მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტის დამთავრების (1937) შემდეგ იყო აფხ. მწერალთა კავშირის თავ-რე. 1939 საბჭ. არმიის რიგებში გაიწვიეს. დაიღუპა დიდ სამამულო ომში. პირველი ლექსი 1928 გამოაქვეყნა, პირველი პოეტური კრებ. „ქვეყანა ვითარდება" — 1932. მასში შევიდა კ-ს პუბლიც. ჟღერადობით გამსჭვალული პოემები „პროლეტარები", „ტყვარჩელმშენი", „ლენინი", „მილიონთა ხმა" და სხვ. ძველის უარყოფისა და ახლის დამკვიდრების პათოსით ხასიათდება მისი პოემები „შარიზანი" (1933), „დაური" (1936) და სხვ.

ლიტ: აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1975.

კვლავწარმოება, იხ. *აღწარმოება.*

კვლებზე თესვა (დარგვა), თესვის წესი, როცა სას.-საშ. კულტურებს თესავენ ან რგავენ ნახევარსფერულ, რამდენიმე მეტრის სიგანის ხელოვნურად შემაღლებულ ადგილზე. იყენებენ ჭარბტენიან რ-ნებში. ასეთი კვალის ზედაპირზე წყალი ადვილად ჩამოედინება და საწრეტი არხების საშუალებით ნაკვეთი თავისუფლდება ჭარბი ტენისაგან. კოლხეთის დაბლობზე ამ წესს მიმართავენ ბოსტნის, ციტრუსების, ჩაისა და სხვ. ძვირფასი კულტურების გასაშენებლად.

გ. ქეშელაშვილი.

კვლიავი (Carum), ორ- და მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. აერთიანებს 30-მდე სახეობას. უფრო გავრცელებულია სახეობა Carum carvi — ორწლოვანი ეთერზეთოვანი მცენარე. იყენებენ საკონსერვო, საკონდიტრო და ფარმაკოლოგიურ წარმოებაში.

კვორუმი (ლათ. quorum, სიტყვასიტყვით — რომელთაგანაც), კრების მონაწილეთა რაოდენობა, რ-იც აუცილებელია კრების უფლებამოსილად აღიარებისათვის. კ. დადგენილია ნორმატიული აქტით ან ორგანიზაციის წესდებით.

კვრინჩხი (Prunus spinosa), ეკლიანი ბუჩქი ან პატარა ხე ვარდისებრთა ოჯახის ქლიავის გვარისა. მისი სიმაღლე 5 *მ* აღწევს. დაკბილული და წამახული ფოთლები აქვს. ლეგა ნაფიფქით დაფარული მუქი ლურჯი ნაყოფი მწკლარტე და მომჟავო-მოტკბოა. ყვავის აპრილ-მაისში, ფოთლის გამოტანამდე. ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტ-ში. ველურად იზრდება დას. ევროპაში, მცირე აზიასა და ირანში; სსრკ-ში — ევრ. ნაწილში, კავკასიაში და დას. ციმბირში. მთაში 1200—1600 *მ*-მდე ადის. საქართველოში მხოლოდ აღმ. ნაწილში იზრდება. კ. სინათლის მოყვარულია, სიცხესაც უძლებს და სიცივესაც. კ-ის ფესვს უხვი ნაბარტყი აქვს. თაფლოვანია. ნაყოფს ახმობენ კერკად შეჭამანდისთვის, მისგანვე ამზადებენ ღვინოს, მურაბას, მარმელადს, ძმარს, ხდიან არაყს. იყენებენ ცოცხალ ღობედ, დეკორ. ბაღთმშენებლობაში.

ვ. მირზაშვილი.

კიანგი (Equus hemionus kiang), კენტჭლიქოსანი ცხოველი *ცხენისებრთა* ოჯახისა. *კანჯარის* ქვესახეობა. ტანად დიდი ცხოველია; აქვს მოკლე ფაფარი, წინა კიდურებზე რქოვანი კორძები; ზურგის მხარე და გვერდები მოწითალო-ყავისფერია, მუცელი — მოთეთრო. ბინადრობს ცენტრ. აზიის მთიანეთის უდაბნოში (ქაშმირი, ლადაქი, ტიბეტი), ქმნის მცირერიცხოვან რემას. იკვებება ბალახით. შობს 1 კვიცს. სწრაფად დარბის. ადგილ. მოსახლ. კ-ზე ხორცისა და ტყავისათვის ნადირობს. ძნელად შინაურდება.

კიანეთი, სოფელი ბოლნისის რ-ნში (ქვეშის სოფსაბჭო), მდ. მაშავერის მარცხ. ნაპირზე, ბოლნის—დმანისის საავტ. გზაზე. ზ. დ. 650 *მ*, ბოლნისიდან 12 *კმ.* ქვეშის მეკარტოფილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა. სოფელში დგას X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ერთნავიანი ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ნაგებობის ოდნავ ნალისებრი ფორმის აფსიდი გარეთა სწორკუთხედის ფარგლებშია. წყვილი პილასტრი დარბაზის კედლებსა და კამარას ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. კედლებს გასდევს თაროსებრი ლავგარდნები. კედლის წყობაში გამოყენებულია მოყვითალო ფერის სუფთად ნათალი დიდი კვადრები. სარკმლები შიგნიდან ოთხკუთხაა, გარედან — თაღოვანი. ასეთივეა სამხრ. შესასვლელიც. ფასადები შემკულია სხვადასხვა დროის (VII—X სს.) მოჩუქურთმებული და წარწერიანი ფრაგმენტებით. აღმ. ფასადის სადა ვიწრო სარკმელი შემკულია სათაურით, რ-ის ზემოთ წრეში მოქცეული ჯვარია გამოსახული. *ვ. დოლიძე.*

კიარაზი (აფხ. „გაერთიანება"), 1. შრომითი და თავდაცვითი ორგანიზაციები აფხაზეთში XX ს. დასაწყისამდე. ცალკეული სოფლის გლეხები ქმნიდნენ ურთიერთდამხმარე შრომითს ორგანიზაციებს და ერთად გადიოდნენ მოსავლის ასაღებად. მტრის თავდასხმის მოლოდინში ისინი შეიარაღებულიც იყვნენ. ასეთი ორგანიზაცია ფეოდალებსაც ჰქონდათ და მას ექსპლუატაციის იარაღად იყენებდნენ. „კ". ეწოდებოდა აგრეთვე მსხვილი ფეოდალის პირადი დაცვისათვის შექმნილ რაზმს, რ-საც დასჯის ფუნქციებიც ეკისრებოდა. 2. გლეხთა შეიარაღებული ერთა. რეგ. რაზმები აფხაზეთში 1917—21. ჩამოყალიბდა გუდაუთისა და გაგრის მაზრაში ნ. ლაკობას, ი. ვარდანიას, ვ. აგრბას, მ. გობეჩიას და სხვ. ინიციატივით. კ. ინტერნაციონალური ორგანიზაცია იყო. მასში შედიოდნენ აფხაზი, ქართვ., რუსი, სომეხი ღარიბი გლეხები და მუშები. 1918, აფხაზეთში რეგ. მოვლენების გაშლის პერიოდში, რასაც მოჰყვა საბჭოების ხელისუფლების დამყარება, კ. გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა ბზიფისა და ქ. სოხუმის რ-ნში. საბჭ. ხელისუფლების დროებითი მარცხის შემდეგ კ. იატაკქვეშ მუშაობაზე გადავიდა. 1920 ზაფხულში შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად გუდაუთის მაზრაში ჩამოყალიბდა 14 პარტიზ. რაზმი 560 კაცის შემადგენლობით. მენშევიკურმა მთავრობამ ეს აჯანყება ჩახშო. 1921 თებ.-მარტში, როცა დაიწყო საყოველთაო აჯანყება, კ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭ. ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. შემდეგში კ. აქტიურად ჩაება ახ. ცხოვრების მშენებლობაში.

ლიტ.: Дзидзария Г. А., Роль Советов и «Киараза» в истории революционной борьбы в Абхазии. 1917—1921 гг., Сух., 1971.

გ. ძიძარია.

კიარელი (Chiarelli) ლუიჯი (7. VII. 1860 ან 1884, ტრანი, — 20. XII. 1947, რომი), იტალიელი დრამატურგი. პიესით „ნიღაბი და სახე" (1916) საფუძველი ჩაუყარა იტალ. „გროტესკის თეატრს"; გროტესკულია მისი პიესები „აბრეშუმის კიბე" (1917), „ქიმერა" (1919), „ფოიერვერკი" (1923) და სხვ. წინააღმდეგობის მოძრაობის გავლენით დაწერა რევ.-სიმბოლური პიესა „თეატრი ცეცხლში" (1945). პიესა „ყოფნა" (გამოქვეყნდა 1953) ეგზისტენციალისტურ პრობლემას ეხმაურება.

კიაროსკურო (იტალ. chiaroscuro, სიტყვასიტყვით —ჩრდილ-ნათელი), ფერადი ქსილოგრაფიის სახეობა. კ-ს გრავიურები იბეჭდება რამდენიმე ხის ფიცრიდან, რ-ებიც მსგავსი ტონების საღებავითაა დაფარული. გამოსახულება იქმნება ჩრდილ-ნათელის გრადაციებით და გამოირჩევა ფორმის პლასტ. განზოგადებით.

კ-ს გრავიურა გამოიგონეს XVI ს-ში (უკო და კარპი, ა. ანდრეანი — იტალიაში, ჰ. ბალდუნგი — გერმანიაში).

კიატი, ფულის ერთეული ბირმაში. ბრუნვაშია 1952-იდან ბირმული რუპიის ნაცვლად. 1 კ. უდრის 100 პიასს. 1980 წ. 1 ნოემბრიდან სსრკ სახელმწ. ბანკის კურსით 100 კ. = 9,78 მან.

კიაქსარი (ბერძნ. Kyaxáres. ძვ. სპარს. ᴜᴀᴋᴘᴛᴩᴀ), მიდიის მეფე ძვ. წ. 625/624—585/584. მის დროს მიდია წინა აზიის ძლიერი სახელმწიფო გახდა. კ-მ ბოლო მოუღო სკვითების ბატონობას წინა აზიის ჩრდ. ნაწილში, 616—605 მოკავშირე ბაბილონთან ერთად გაანადგურა ასურეთი, შემოიერთა მანისა და ურარტუს ტერიტორიები, ხოლო 590—585—მცირე აზიის აღმ. ნაწილი.

კიახტა, ქალაქი ბურ. ასსრ-ში, სსრკ—მონღ. სრ სახელმწ. საზღვართან. კიახტის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. ნაუშკიდან 35 *კმ.* საავტ. გზით უკავშირდება ულან-უდეს (234 *კმ*). სართავ-სატრიკოტაჟო ფ-კა, კვების მრეწვ. საწარმოები. სამედ. სასწავლებელი. ვ. ობრუჩევის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სუხე-ბატორის მუზეუმი. XIX ს-ში კ-ში აგებულია კლასიციზმის სტილის რამდენიმე შენობა — სამების ტაძარი (1807—17), აღდგომის ეკლესია (1838), ქარვასლა (XIX ს. შუა წლები). საბჭ. პერიოდში გაიშალა ტიპობრივი საცხოვრ. სახლების მშენებლობა. დაჯილდოებულია სუხე-ბატორის ორდენით (1973).

კიბალნიკოვი ალექსანდრე პავლეს ძე [დ. 9(22). VIII. 1912, სოფ. ორეხოვო, ახლანდ. ვოლგოგრადის ოლქი], რუსი საბჭ. მოქანდაკე. სსრკ სახ. მხატვარი (1963), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1954). სკკპ წევრი 1963-იდან. რსფსრ მხატვართა კავშირის თავ-რე (1963—66). კ. მონუმენტალისტი და პორტრეტისტია. ნამუშევრები: პორტრეტები — ნ. ჩერნიშევსკისა (ბრინჯაო, 1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), ი. სტალინისა (თაბაშირი, 1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), ვ. მაიაკოვსკისა (ბრინჯაო, 1954), პ. ტრეტიაკოვის(მარმარილო, 1962) — ყველა ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი; ძეგლები: ნ. ჩერნიშევსკისა სარატოვში (ბრინჯაო, გრანიტი, გაიხსნა 1953), ვ. მაიაკოვსკისა მოსკოვში (ბრინჯაო, გრანიტი, გაიხსნა 1958, ლენინური პრემია, 1959) და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კიბალჩიჩი ნიკოლოზ ივანეს ძე [19 (31). X. 1853. ქ. კოროპი, ახლანდ. ჩერნიგოვის ოლქი, — 3 (15). IV. 1881, პეტერბურგი], რუსი რევოლუციონერი, გამომგონებელი. მღვდლის ოჯახიდან იყო. სწავლობდა ჯერ პეტერბ. საინჟინრო ინ-ტში, შემდეგ სამედ.-ქირურგ. აკადემიაში. 1875—78 დაჯილდოვდა რევ. პროპაგანდისათვის. 1879 მაის-ივნისში შედიოდა ჯგუფში „თავისუფლება ან სიკვდილი", რ-იც „ზემლია ი ვოლიას" ორგანიზაციაში შეიქმნა. შემდეგ გახდა „ნაროდნაია ვოლიას" აღმასკომის აგენტი. ხელმძღვანელობდა ფეთქებად ნივთიერებათა ლაბორატორიას და მონაწილეობდა ალექსანდრე II-ზე თავდასხმაში. 1881 წ. 1 მარტის საქმესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა და ა. ჟელიაბოვთან, ს. პეროვს-

დ. კვიცარიძე.



კვლიავი: ა—ყვავილი; ბ—ნაყოფი.

კვრინჩხი: ა—ნაყოფებიანი ტოტი; ბ — ყვავილებიანი ტოტი.



კიანგი.

კიანეთი. ერთნავიანი ეკლესია. X ს.

ა. კიბალნიკოვი.

ნ. კიბალჩიჩი.

კაიასა და სხვებთან ერთად ჩამოახრჩვეს. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე დაამუშავა რეაქტიული საფრენი აპარატის ორიგინ. სახეობა. კ-ის სახელი ეწოდა მთვარის ერთ-ერთ კრატერს. სხვადასხვა ქალაქის (მ. შ. ქ. თბილისის) ქუჩებს.

კიბეე, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში (აჭარისწყლის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 240 *მ*, ხელვაჩაურიდან 15 *კმ*, ბათუმიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ*. აჭარისწყლის პარიზის კომუნის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. აჭარისწყალში (1 *კმ*).

კიბელე, ფრიგიული რელიგიური პანთეონის უზენაესი ქალღმერთი, „ღვთაებათა და დედამიწის ყოველი არსის დიდი დედა". კ-ს კულტი განასახიერებდა მკვდარი ბუნების აღორძინებასა და ცოცხალი არსების განაყოფიერებას. ფართოდ გავრცელდა მცირე აზიაში და შეერწყა ბერძნ. რეას კულტს. მცირე აზიაში რომის გავლენის გაძლიერების შემდეგ კ-ს კულტი შემოღეს რომშიც, სადაც იგი შეესისხლხორცა ადგილ. ქალღმერთის ოფსის კულტს. ელინისტურ და რომაულ ხანაში კ-ს თაყვანისცემის ცენტრი მცირე აზიაში იყო გალატიის ქალაქი პესინუნტი. *ნ. ხაზარაძე.*

კიბერნეტიკა (ბერძნ. kybernētikē — მართვის ხელოვნება), მეცნიერება მართვის სისტემებში ინფორმაციის მიღების, გადაცემის, გადამუშავებისა და შენახვის ზოგადი კანონზომიერების შესახებ. მართვის პროცესები განიხილება ტექ., ბიოლ., ადმ. და სოც. სისტემებში. რთული მართვადი სისტემის მაგალითებია ცოცხალი ორგანიზმების ნერვული სისტემა და ადამიანთა საზ-ბაში მართვის სხვადასხვა ტიპის სისტემები.

ტერმ. „კ." მვ. ბერძნების შემდეგ პირველად (1834) გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა ა. *ამპერმა* ადამიანთა საზ-ბაში მართვის მეცნიერების გამოსახატავად. ნ. *ვინერმა* კ. განსაზღვრა როგორც „მეცნიერება მართვისა და კავშირის შესახებ ცოცხალ ორგანიზმებსა და მანქანებში".

კ-ის კვლევის ძირითადი ობიექტია ე. წ. *კიბერნეტიკული სისტემები.* ზოგად (ან თეორიულ) კ-ში ამგვარ სისტემებს განიხილავენ აბსტრაქტულად, მისი რეალური ფიზ. ბუნების გარეშე. აბსტრაქტული მიდგომა საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს სხვადასხვა ბუნების სისტემები (ტექ., ბიოლ. და სოციალური). ყოველგვარი კიბერნ. სისტემის შესწავლისას ძირითადი ყურადღება გადატანილია მისი შემადგენელი ელემენტების ინფორმაციული წარმოდგენის, მ. შ. ინფორმაციული ურთიერთმოქმედებისა და მთლიანად სისტემაში მართვის პროცესის განხორციელების საკითხებზე.

მართვის სისტემის ფუნქციონირების ზოგადი სქემა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ სახით, როგორც ის ნახაზზეა.

მართვის სისტემის ფუნქციონირებისას ხორციელდება ინფორმაციის ცირკულირება; მართვის სისტემიდან პირდაპირი კავშირის საშუალებით მართვად ობიექტებზე გადაიცემა ინფორმაცია, ხოლო უკუკავშირის საშუალებით ისეთი ინფორმაცია მიიღება, რ-იც მართვის სისტემას საშუალებას აძლევს კვლავ გამოიმუშაოს ობიექტზე გადასაცემი ინფორმაცია და ა. შ., ვიდრე არ დამთავრდება ობიექტის მართვის პროცესი.

მართვის სისტემის ძირითადი დანიშნულებაა უკუკავშირის გზებით მიღებული ინფორმაციის იმგვარი დამუშავება, და ისეთი მართვადი ზემოქმედებების გამომუშავება, რ-ითაც შესაძლებელი იქნება მართვის მიზნის მიღწევა.



კიბერნეტიკა.

ინფორმაცია კიბერნ. მართვის სისტემაში მიმდინარე ყოველგვარი პროცესის შესახებ შეიძლება წარმოდგენილ იქნას უწყვეტად ან დისკრეტულად. უწყვეტი ინფორმაცია პროცესის პარამეტრების შესახებ წარმოიდგინება ამა თუ იმ ფიზ. სიდიდით (დენის ძალა, შემობრუნების კუთხე და ა. შ.), რ-იც დროის უწყვეტი ფუნქციაა, დისკრეტული ინფორმაცია კი — ცალკეული სიგნალების თანამიმდევრობით, რ-ებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სასრული დროითი ან სივრცული ინტერვალებით. ამასთან, განსხვავებული სიგნალების რაოდენობა სასრულია, რაც საშუალებას იძლევა ვავაიგივოთ ისინი რომელიმე ენის ალფაბეტთან ან ამა თუ იმ თვლის სისტემაში წარმოდგენილ ციფრებთან. იმის გამო, რომ უწყვეტი ინფორმაციის მიმღები, გადამცემი და წარმომქმნელი რეალური სისტემები ხასიათდება შეზღუდულობით (მაგ., მგრძნობიარობის შეზღუდულობით, რ-იც არ იძლევა საშუალებას გავარჩიოთ მცირედ განსხვავებული სიდიდეები ერთმანეთისაგან), ხშირ შემთხვევაში მიზანშეწონილია უწყვეტი ინფორმაცია წარმოვიდგინოთ როგორც სიგნალების სასრული თანამიმდევრობა. ამგვარად, წარმოდგენილი ინფორმაციის უპირატესობამ დასაბამი მისცა შექმნილიყო დისკრეტული ინფორმაციის უნივერს. გარდამქმნელები — —ელექტრონული გამომთვლელი მანქანები.

ისეთი სისტემების შესასწავლად, რ-ებიც უწყვეტი ინფორმაციის საშუალებით აიწერება, იყენებენ ჩვეულებრივ დიფერენც. განტოლებათა სისტემების თეორიას, ხოლო დისკრეტული სისტემებისათვის — *ალგორითმების თეორიასა* და *ავტომატების თეორიას.* კიბერნ. სისტემების აღწერისას დიდი გამოყენება პოვა *კ. შენონის* მიერ ჩამოყალიბებულმა *ინფორმაციის თეორიამ,* რ-იც გამოსადეგია როგორც უწყვეტი, ისე დისკრეტული ინფორმაციის შესასწავლად.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანები ამუშავებს დისკრეტულ ინფორმაციას. მის შესასვლელსა და გამოსასვლელზე ამგვარი ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს ათობითი ციფრების, ასოების, სასვენი ნიშნებისა და სხვა სიმბოლოების ნებისმიერ თანამიმდევრობას. მანქანის შიგნით ეს ინფორმაცია წარმოისახება სიგნალების თანამიმდევრობით, რ-ებიც იღებენ ორ განსხვავებულ მნიშვნელობას, 0-ს ან 1-ს.

თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების უნივერსალობის ოვისება საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ნებისმიერი ინფორმაციული გარდაქმნის მოდელირება, მ. შ. აზროვნების პროცესისაც.

ბუნების ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების, როგორც ინფორმაციის გადამამუშავებლის განხილვა, მათი კიბერნ. მიდგომით შესწავლის საშუალებას იძლევა. ამგვარი მიდგომა (ისე როგორც სხვა ფუნდამენტური მეცნიერების — მექან., ქიმ. და ა. შ. მიდგომის გამოყენებისას) მოითხოვს აბსტრაჰირების გარკვეულ დონეს. მაგ., კიბერნ. მიდგომისას ტვინის, როგორც ნეირონების სისტემის შესწავლის დროს, საჭიროა უგულებელვყოთ ნეირონების ზომები, ფორმები, ქიმ. შედგენილობა და სხვ. ამ შემთხვევაში კ. იკვლევს ნეირონების მდგომარეობას, მათ მიერ გამომუშავებულ სიგნალებს, ადგენს კავშირებს ნეირონებს შორის და მათი მდგომარეობის ცვლილებათა კანონებს.

თანამედროვე კ. შედგება მრავალი დამოუკიდებელი სამეცნ. მიმართულებისაგან. კ-ის თეორ. საფუძველს შეადგენს ისეთი დარგები, როგორიცაა ინფორმაციის თეორია, ავტომატებისა და ალგორითმების თეორია, სისტემების ზოგადი თეორია, ოპტიმალურ პროცესთა თეორია, ოპერაციის გამოკვლევის თეორია, სახეთა გამოცნობის თეორია, ფორმალური ენების თეორია და სხვ.

კ. თავისი ძირითადი ობიექტის (კიბერნ. სისტემების) კვლევის დროს იყენებს პრინციპულად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამ მეთოდს. პირველი მეთოდის არსი ის არის, რომ საკვლევი ობიექტი აიწერება ამა თუ იმ აპარატის გამოყენებით (მაგ., განტოლებათა სისტემების საშუალებით) და დასკვნები მიიღება მათ. დედუქციის გზით (მაგ., შესაბამის განტოლებათა სისტემების ამოხსნით). მეორე მეთოდის გამოყენებისას ობიექტზე ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დგინდება ამ ობიექტის ფუნქციონირების კანონზომიერება. კ-მ შემოიღო სრულიად ახ. მეცნ. კვლევის მეთოდი—ექსპერიმენტის ან მათ. დამოდელება; ექსპერიმენტები ტარდება არა საკვლევი ობიექტის რეალურად არსებულ ფიზ. მოდელებზე, არამედ მისი აღწერით მიღებულ აბსტრ. ობიექტზე. ობიექტის აღწერილობას გარკვეულ მანქანურ პროგრამებთან ერთად, რ-თა საშუალებით ობიექტის მახასიათებლები ნებისმიერად იცვლება, ათავსებენ ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში. ამის შემდეგ მანქანის საშუალებით საკვლევ ობიექტზე ატარებენ ყოველგვარ ექსპერიმენტს: შეისწავლიან მის ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში, ცვლიან ობიექტის აღწერილობის ამა თუ იმ ელემენტს და ა. შ; მათ. ექსპერიმენტის გამოყენებით კ. შეისწავლის მრავალი ტიპის სისტემებს (ეკონ., ადმ., ბიოლ. და სხვა სახის სისტემები).

კ-ს უშუალოდ იყენებენ მართვის ავტომატიზებული სისტემების თეორიის დამუშავებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვის საქმეში. ელექტრონული გამომთვლელი მანქანებისა და კ-ის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ოპტიმალური მართვის განხორციელება თვითთრგანიზაციისა და თვითდასწავლის პრინციპების გამოყენებით. ოპტიმალური სისტემების დაპროექტების თეორიასა და პრაქტიკას შეისწავლის კ-ის ქვედარგი — ტექ. კ.

სხვადასხვა სისტემაში ინფორმაციის მიმოქცევის, შენახვისა და გადამუშავების კანონზომიერების დადგენის საშუალებით კ-ში შესაძლო გახდა დაწყებულიყო კვლევა სისტემათა ზოგადი თეორიის ჩამოსაყალიბებლად. ამგვარი თეორია საშუალებას იძლევა ერთიან ენაზე აღვწეროთ ისეთი რთული სისტემები, როგორიცაა ადამიანები, მანქანები, მათი ურთიერთქმედების პროდუქტები. კიბერნ. კვლევის შედეგებს იყენებენ ე. წ. სისტემოტექნიკაში, რ-ის მიზანია შეისწავლოს დიდი მასშტაბის (ეკონ. სოც., სოც.-ეკონ., სახელმწ. მნიშვნელობის დიდი პროექტების) სისტემათა ოპტიმალური მართვის, დაგეგმვისა და პროგნოზირების ამოცანები.

კ-ს ფართოდ იყენებენ ისეთ მეცნიერებებში, სადაც კლასიკური მათემატიკა შეზღუდულადაა გამოყენებული. მაგ., ბიოლოგიაში, მედიცინაში, პედაგოგიკაში, ენათმეცნიერებაში. კ-ის განვითარების დასაწყისში ამ მეცნიერებათა პრობლემებს უშუალოდ კ. შეისწავლიდა, ამიტომ მათ ეწოდებათ კიბერნ. ბიოლოგია, კიბერნ. პედაგოგიკა და ა. შ.

საქართველოში კ-ის განვითარება იწყება 50-იანი წლებიდან. ვ. *ჭავჭანიძის* თაოსნობით საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტთან 1957 შეიქმნა ფიზ. კ-ის ლაბორატორია, ხოლო 1960 დაარსდა საქართვ. სსრ მეცნ. აკად. კ-ის ინ-ტი, რ-იც ამჟამად ერთ-ერთი მსხვილი სამეცნ. დაწესებულებაა სსრკ-ში.

სსრკ-ში თავდაპირველად კ-ისადმი უარყოფითი დამოკიდებულება იყო ნ. ვინერისა და მისი მიმდევრების ზოგიერთ მცდარ ფილოს. შეხედულებათა გამო. 60-იანი წწ. დასაწყისიდან ჩამოყალიბდა სწორი შეხედულება კ-ის მეცნ. საფუძვლების შესახებ.

ლიტ.: ვინერი ნ., კიბერნეტიკა და საზოგადოება, თარგმ. ინგლისურიდან, თბ., 1961; ჭავჭანიძე ვ., შაფური რ., კიბერნეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1962; Арбиб М., Мозг, машина и математика, пер. с англ., М., 1968; Винер Н., Кибернетика, или Управление и связь в животном и машине, пер. с англ., 2 изд., М., 1968; Глушков В. М., Введение в кибернетику, К., 1964; Эшби У. Р., Введение в кибернетику, пер. с англ., М., 1959. *ე. ჯუღელი.*

კიბერნეტიკა ბიოლოგიაში, იხ. *ბიოკიბერნეტიკა.*

კიბერნეტიკა სამედიცინო, მედიცინაში კიბერნეტიკის იდეების, მეთოდებისა და ტექნიკურ საშუალებათა ათვისებასთან დაკავშირებული მეცნიერული მიმართულება. შეისწავლის ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე, საექიმო გადაწყვეტილებათა მიღების პერიოდში აღმოცენებულ და მთლიანად ჯანდაცვის სისტემაში მოქმედ ინფორმაციულ პროცესებს. ადგენს მათი მართვის კანონებს და სისტემოტექ. და ბიოსამედ. მეთოდების გამოყენებით ქმნის მათი მართვის თანამედროვე სისტემებს. კ.ს-ს მიზანია დაგროვილი სამედ. ცოდნის განზოგადების საფუძველზე, მართვის თეორიის, სისტემური ანალიზისა და სხვ. ზუსტი მეთოდების გამოყენებით ადამიანის ორგანიზმზე სამკურნ. პროფილაქტ. საშუალებების მიზნობრივი ზემოქმედების ოპტიმიზაცია. კ. ს-ს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია მედ. მათემატიზაციის, მისი ზუსტ მეცნიერებად გარდაქმნის და ჯანდაცვის სისტემაში სამეცნ.-ტექ. პროგრესის დანერგვის საქმეში. ამ ამოცანის ეადასაწყვეტად კ. ს. მიმართავს სამედ. ინფორმაციულ პროცესთა ალგორითმიზაციას და მათ. მოდელირებას, ხარისხობრივ და რიცხობრივ მაჩვენებელთა დაზუსტებას და ამის საფუძველზე ჯანდაცვის ობიექტთა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას.

ელექტრონული გამომთვლელი მანქანებისა და სისტემოტექ. საშუალებათა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მედიცინაში ავტომატიზაციის გამოყენება და დიდ სამედ. ინფორმაციულ სისტემათა დამუშავება.

კ. ს-ს მიღწევები მედიცინაში ძირითადად ინერგება რთული და შრომატევადი ლაბორ. და აპარატული კვლევის მეთოდების ავტომატურ რეჟიმში გადაყვანის, მიღებული პირველადი მონაცემების ავტომ. დამუშავებისა და სათანადო ინფორმაციულ სისტემაში არსებულ მასივთან მისი მიზნობრივად დაკავშირების მეშვეობით, აგრეთვე საექიმო ალგორითმების დამუშავების, მანქანური დიაგნოსტიკის, პროგნოზირებისა და რაციონალურ სამკურნ.-პროფილაქტ. ღონისძიებათა შერჩევის შედეგად.

ამჟამად მსოფლიოში კ. ს-ს მრავალი სისტემა ფუნქციონირებს და მათი რიცხვი სწრაფად იზრდება.

ლიტ.: Биологическая и медицинская кибернетика, М., 1971; Быховский М. Л., Вишневский А. А., Кибернетические системы в медицине, М., 1971; Воробьев Е. И., Китов А. И., Введение в медицинскую кибернетику, М., 1977; Медицинская информационная система, под общей ред. Н. М. Амосова и А. А. Попова, 2 изд., К., 1976; Парин В. В., Баевский Р. М., Введение в медицинскую кибернетику, М.—Прага, 1966. *გ. ვასაძე.*

კიბერნეტიკის ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება ქ. თბილისში. დაარსდა 1960 წ. 3 ოქტ. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: კიბერნეტიკული სისტემების შექმნის ფიზ. პრინციპების დამუშავება, ბუნებრივი და ხელოვნური კიბერნ. პროცესებისა და სტრუქტურების მოდელირების თეორ. დამუშავება, ევრისტიკული და ფსიქოევრისტიკული დაპროგრამება, ხელოვნური ინტელექტის შექმნის თეორია და მისი გამოყენების საკითხები, ბიოლ., ეკონ. და პედ. პროცესების მოდელირება, სხვადასხვა დარგისათვის ავტომატიზებული მართვის სისტემების დამუშავება, ოპტოელექტრონიკისა და ჰოლოგრაფიის გამოყენება თანამედროვე გამოთვლითს ტექნიკაში. ინ-ტის ლაბორატორიები აღჭურვილია უახლესი ხელსაწყოდანადგარებით და III თაობის გამომთვლელი მანქანებით. ინ-ტში მოპოვებული სამეცნ. შედეგები ინერგება სახ. მეურნ. მრავალ დარგში.

კიბერნეტიკული სისტემა, სისტემა, რ-ის ფუნქციონირება განისაზღვრება მის შემადგენელ ელემენტებს შორის ინფორმაციული ურთიერთქმედებით. კ. ს. გამოყოფილია გარემოსაგან. მასში განსაზღვრულია შესავალი და გამომყვანი არხები. კიბერნ. მეცნ. განვითარების დასაწყისში კ. ს-ების აღწერისათვის იყენებდნენ *კ. შენონის* მიერ შემოღებული ინფორმაციის რაოდენობის ცნებას. ავტომატების თეორიის, ალგორითმების თეორიისა და გამომთვლელი მანქანების განვითარებამ შესაძლებელი გახადა კ. ს-ის უფრო ზუსტი აღწერა და მასში მიმდინარე ინფორმაციული პროცესების კანონზომიერებების დადგენა. სხვა კლასის სისტემებისაგან განსხვავებით კ. ს-ს აქვს უკუკავშირის არხები, თვითორგანიზაციისა და გარემოსთან შეგუების უნარი, ამასთან, იგი მართვადია, მოქმედებს მიზანდასახულად.

განარჩევენ ბუნებრივ და ხელოვნურ კ. ს-ებს. ბუნებრივ კ. ს-ს უწოდებენ ბუნებაში არსებულ ისეთ სისტემას, რ-შიც ზუსტად შეიძლება გამოიყოს ინფორმაციული ურთიერთქმედება მის შემადგენელ ელემენტებს შორის. ამ ურთიერთქმედებას მივყავართ წინასწარ დასახული მიზნისაკენ. ხელოვნური კ. ს. ადამიანის მიერაა შექმნილი და გამოიყენება ობიექტებისა და პროცესების ოპტიმალური მართვისათვის.

ლიტ. იხ. სტ-თან კიბერნეტიკა. *ე. ჯუღელი.*

კიბიში, კიბე. უღელტეხილი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდ. განშტოებაზე, შანისა და შინოს შემაერთებელ კიბის ქედზე, მდ-ების სნოსწყლისა და ხდის (თერგის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე. სიმაღლე 3400 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით. კ-ის ჩრდ.-დას. კალთაზეა *კიბიშის* მყინვარი. *რ. შენგელია.*

კიბიში, ყიბიშა, მყინვარი კავკასიონის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხდის სათავეებში (თერგის მარჯვ. შენაკადი). ხეობის ტიპისაა. ჩრდ. ექსპოზიციის ფართ. 1,93 *კმ*². მყინვარის ენა ეშვება 3200 *მ* სიმაღლემდე. ფირნის საზღვარი გადის 3351 *მ*-ზე. უკანასკნელი 80 წლის მანძილზე მყინვარმა უკან დაიხია 1490 *მ*-ით. *რ. შენგელია.*

კიბო, კანცერი (ლათ. cancer < ბერძნ.), ეპითელიუმური ქსოვილისგან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე (ტერმინის წარმოქმნა დაკავშირებულია იმასთან, რომ სარძევე ჯირკვლისა და კანის კ. გარეგნულად წყლის კიბოს მარწუხებს წაგავს). კ. შედგება ძირითადი ქსოვილისაგან, რ-იც განსაზღვრავს მის ბუნებას (ეპითელიუმური პარენქიმა) და შემაერთებელი ქსოვილისაგან (სტრომა), სადაც უხვად არის განვითარებული სისხლისა და ლიმფური ძარღვები, რ-ებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ირგვლივ მდებარე სისხლისა და ლიმფურ ძარღვებთან, რაც ხელს უწყობს სიმსივნური უჯრედების გავრცელებას.

ნორმალური ეპითელიუმის 2 სახეობის—ცილინდრულისა და ბრტყელის მიხედვით განარჩევენ ცილინდრულუჯრედოვან და ბრტყელუჯრედოვან კ-ს. პირველის საწყისია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ჯირკვლოვანი ელემენტები, მეორისა — კანის მფარავი უჯრედოვანი ელემენტები, პირის ღრუს, სასუნთქი და შარდ-სასქესო გზების მფარავი ეპითელიუმური უჯრედები. სტრომის განვითარების ხასიათის მიხედვით სიმსივნე შეიძლება იყოს მკვრივი (სკიროზული) და რბილი (მედულარული ანუ ტვინოვანი კ.). ზოგჯერ კ-ს უჯრედები ნაწილობრივ ინარჩუნებენ საწყისი ქსოვილის ფუნქციას, მაგრამ, როგორც წესი, ისინი ატიპურია; მათი ზომა და ფორმა ცვალებადია, ეპითელიუმის სპეც. ფუნქციები დაკარგული ან სახეშეცვლილია.

სიმსივნური უჯრედები ნორმალური უჯრედებისაგან განსხვავდება ციტოგენეტიკური, ელექტრომიკროსკოპული, ბიოქიმ., იმუნოლოგიური და სხვ. თავისებურებებით. კ-ს ახასიათებს ირგვლივ მყოფ საღ ქსოვილებში ჩაზრდა და მათი დაშლა (მაინფილტრირებელი ზრდა), რაც ხშირად აზიანებს სისხლის ან ლიმფურ ძარღვებს. კ-ს უჯრედები ორგანიზმში ვრცელდება ძირითადად ლიმფის, აგრეთვე სისხლის მეშვეობით და ხვდება სხვადასხვა ოიგანოსა და ქსოვილში, რის შედეგადაც ვითარდება სიმსივნის მეორეული კვანძები— *მეტასტაზები.*

კ-ს ქსოვილის დაშლისა და ზოგადი ინტოქსიკაციის შედეგად შეიძლება განვითარდეს ანემია; ზოგიერთი ორგანოს კ-მ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ფუნქციის დარღვევა: მაგ., საყლაპავის კ. ხშირად იწვევს იძულებით შიმშილს, შარდსადენის კ. — შარდის შეკავებას და სხვ. კ-ს შორსწასული ფორმების დროს ზოგჯერ ვითარდება ორგანიზმის მძიმე საერთო დაუძლურება — კიბოსმიერი *კახექსია;* ანემია და კახექსია უფრო ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კ-ს დროს ვითარდება. კ-ს განვითარებას წინ უსწრებს მთელი რიგი პათოლ. პროცესები, რ-ებსაც *კიბოწინარე მდგომარეობა* ეწოდება.

კ-ს დიაგნოსტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს გამოკვლევის რენტგენოლოგიურ და ციტოლოგიურ მეთოდებს, *ბიოფსიას* და სხვ. (იხ. აგრეთვე *კანცეროგენული ნივთიერებები, ონკოლოგია, სარკომა, სიმსივნეები*).

ლიტ.: ვეფხვაძე კ., ონკოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 1975. Клиническая онкология, под ред. Н. Н. Блохина и Б. Е. Петерсона, т. 1—2, М., 1971; Руководство по общей онкологии, под ред. Н. Н. Петрова, Л., 1961. *კ. მადიჩი.*

კიბო-მაანდეგილი (Pagurus setosus), ზღვის ცხოველი *კიბოსნაირთა* კლასისა. აქვს ასიმეტრიული ფორმის მარწუხები და მკვრივ საფარველს მოკლებული მუცელი, რ-იც ჩამალულია *მუცელფეხიანების* თავისუფალ ნიჟარაში. ნიჟარას კ.-მ. თან ატარებს და ზრდასთან ერთად იცვლის. საფრთხის შემთხვევაში კ.-მ. მთლიანად იმალება და ნიჟარის ბაგეს ხურავს კარგად განვითარებული მარწუხებით. აღნიშნულია ზოგიერთი კ.-მ-ის *სიმბიოზი* მარჯნის პოლიპებთან — *აქტინიებთან,* რ-ებიც კიბოს მიერ დაკავებულ ნიჟარაზე სახლდებიან. სიმბიოზი მყარდება აგრეთვე კ.-მ-სა და ნიჟარაზე დასახლ. ღრუბლებს შორისაც. *ლ. კუტუბიძე.*

კიბო-განდეგილი (Pagurus ochotensis) და ჭიის (Nereys cyclurus) სიმბიოზი.

კიბო-მავედრელა.

კიბო-მავედრელა (Squilla mantis), უხერხემლო ცხოველი *პირფეხიანების* რიგისა. ცხოვრობს ხმელთაშუა ზღვაში. მისი სხეულის სიგრძე 20 *სმ* აღწევს. აქვს გრძელი და ძლიერი მუცელი; თავზე — წყვილი ღეროსებრი მოძრავი ფასეტური თვალი და 2 წყვილი ულვაში. სქესმწიფე კ.-მ. ზღვის ფსკერზე ცხოვრობს, ხოლო ლარვა პლანქტონურ ცხოვრებას ეწევა. აქვს მცირე სარეწაო მნიშვნელობა. *ლ. კუტუბიძე.*

კიბომორიელები (Merostomata), ამომწყდარი ეელიცერიანი ფეხსახსრიანები; იგივეა, რაც *ევრიპტერიდები.* სახელწოდება „კ." ამჟამად იშვიათად იხმარება.

კიბორიუმი (ბერძნ. kibōrion), თავდაპირველად სასმისის სახელწოდება; ქრისტ.

ე. კიბრიკი.

ე. კიბრიკი. „დედოფალა". ილუსტრაცია რ. როლანის მოთხრობისათვის „კოლა ბრუნიონი". ავტოლითოგრაფია. 1934—36.

ტაძრებში — საკურთხეველში მოწყობილი შეწირულებათა საცავი, სანაწილე. შემდეგ კ. უწოდეს საკურთხევლის მდიდრულად მორთულ, სვეტებზე დაყრდნობილ მთელ გადახურვას — ჩარდახს.

კიბორჩხალასებრი ნისლეული, გალაქტიკური ნისლეული, რ-იც წარმოიქმნა 1054 *ზეახალი ვარსკვლავის* ანთების შედეგად. მანძილი კ. ნ-მდე უდრის 1700 *პს*. დიამეტრი — 2 *პს*, აქვს ელიფსოიდის ფორმა. ფართოვდება 1000—1500 *კმ/წმ* სიჩქარით. აირის საერთო მასა 0,1 ᲛᲖის მასის ტოლია, ბრწყინვალება 8,5 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდე*. ასხივებს ოპტ., რადიო- და რენტგენულ დიაპაზონებში. სინათლის ძლიერი პოლარიზაცია, რ-იც ნისლეულის ოპტ. გამოსხივების სინქროტრონული ბუნების მაჩვენებელია, აღმოჩინეს 1953 მ. *ვაშაკიძემ* (აბასთუმანი) და ვ. დომბროვსკიმ (ლენინგრადი) ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. კ. ნ-შია ზეახალი ვარსკვლავის ანთების ნაშთი — მკრთალი ვარსკვლავი, ე. წ. *პულსარი* NP 0531, რ-იც 0,033 *წმ* პერიოდით ბრუნავს და იძლევა გამოსხივების ანთებებს ოპტ., რენტგენულ, რადიო- და გამა-დიაპაზონებში.

კიბოსნაირნი (Crustacea), უხერხემლო ცხოველების კლასი *ფეხსახსრიანების* ტიპისა. მათი სხეულის სიგრძე მერყეობს *მმ*-ის რამდენიმე მეათედიდან 80 *სმ*-მდე (მადაგასკარის მდინარის კიბო). კ-თა სხეული შედგება თავის, მკერდისა და მუცლისაგან (ხშირად თავი და მკერდი შერწყმულია და ქმნის თავ-მკერდს), თავზე 5 წყვილი კიდური აქვთ: 1. ანტენები (მათზე ხშირად გრძნობის ორგანოებია), 2. ანტენულები (ზოგი ცურვის დროს იყენებს მათ), 3. საღეჭები ანუ მანდიბულები (საკვებს აქუცმაცებს), 4. I წყვილი ყბა ანუ პირველი მაქსილა და 5. II წყვილი ყბა ანუ მეორე მაქსილა. თავზე აქვთ წყვილი (ზოგჯერ კენტი) ფასეტური თვალი. სხეულის გვერდებზე აქვთ კიდურები, რ-ებითაც ისინი მოძრაობენ, ან 1—3 წყვილი ყბაფეხი, რ-ებიც საჭმლის დაჭერაში მონაწილეობს. მუცლის კიდურები მხოლოდ უმაღლეს კ-თ აქვთ და სუნთქვის, საკოპულაციო ორგანოების და სხვა ფუნქციას ასრულებენ. სხეული დაფარული აქვთ სხვადასხვა სისქის ქიტინოვანი საფარველით, რ-იც გარეგან ჩონჩხს ქმნის. კ-თა საჭმლის მომნელებელი სისტემა შედგება წინა, შუა და უკანა ნაწლავისაგან. იკვებებიან ცხოველური და მცენარეული საკვებით. კ. სხეულის ზედაპირით სუნთქავენ, ზოგი — ლაყუჩებით, ხმელეთის კ. კი — თავისებური აღნაგობის ფილტვებით. გამომყოფი ორგანოები ნეფრიდიული ტიპისაა. სისხლის მიმოქცევის



კიბოსნაირნი: 1—ლაყუჩფეხიანი (Branchinecta paludosa), სიგრძე 24 მმ; 2—ფარიანა (Apus cancriformis), ფარის სიგრძე 7, 5 სმ-მდე; 3—დაფნია (Daphnia magna), 3 მმ; 4—კალანუსი (Calanus finmarchicus), 5,5 მმ-მდე; 5—Derocheilocaris typicus, 0,5 მმ-მდე; 6—Candona candida, ნიკარის სიგრძე 1,2 მმ; 7—ზღვის რკო (Balanus hammeri), სიმაღლე 9 სმ-მდე; 8—Dendrogaster dichotomus, ტოტების შლილი 8 სმ-მდე; 9 — Nebalia bipes, 1 სმ; 10 — Bathynella natans, 1 მმ-მდე; 11—Mysis oculata, 4 მმ-მდე; 12—ტბის გვერტლა (Gammarus lacustris), 2 სმ-მდე; 13 — აზელესი, წყლის ვირიკა (Asellus aquaticus), 20 მმ-მდე; 14—Apseudes spinosus, 15 მმ-მდე; 15—Diastylis rathkei, 2 სმ-მდე; 16—Paralithodes camtschatica, ჯავშნის სიგანე 25 სმ-მდე; 17—მდინარის კიბო (Astacus leptodactylus), 25 სმ; 18—გარნელი (Pandalus borealis), 15 სმ-მდე; 19—კიბო-მაკედრელა (Squilla mantis), 20 სმ-მდე.

სისტემა ღიაა. გული ზურგის მხარეზე მდებარე კუნთოვანი პარკია. გულის წინ, ხშირად უკანაც, თითო აორტაა. სისხლი უფერულია, იშვიათად წითელი. ნერვული სისტემა შედგება წყვილი ხახის-ზედა კვანძის, ხახისირგვლივი რგოლისა და მუცლის ძეწკვისაგან. კ-თა უმრავლესობა ცალსქესიანია, ზოგი პერმაფროდიტია (იხ. *პერმაფროდიტიზმი*). უმდაბლესებს ახასიათებთ სქესობრივი დიმორფიზმიც — დედალი ტანად მამალზე დიდია. უმრავლესობა წყლის ორგანიზმებია. ცხოვრობენ როგორც ზღვაში, ისე კონტინენტალურ წყალსატევებში, წყლის სიზრქეში — პელაგიალშიც და წყლის ფსკერზე — ბენთალშიც. კ-თა ნაწილი წყალში ცურავს, ზოგი დაცოცავს, ხოლო რიგი სახეობები მიმაგრებულია რაიმეზე. კ-თა კლასი იყოფა 2 ქვეკლასად —უმდაბლეს და უმაღლეს კ-ად, აერთიანებს 20000-მდე სახეობას. განაყოფიერებული კვერცხიდან იჩეკება ლარვა ნაუპლიუსი, რ-საც აქვს ოვალური დაუნაწევრებელი სხეული, 3 წყვილი კიდური; შემდეგ უვითარდება პირის კიდურები და ყბები, ბოლოს — მკერდის კიდურები და თანდათანობით სხეული კიბოს ფორმას ღებულობს.

ზოგი კ. (კიბორჩხალა, მდინარის კიბო და სხვ.) ადამიანის საკვებად გამოიყენება. პლანქტონური კ-ით იკვებებიან თევზის ლიფსიტები და პლანქტონური თევზები.

კიბოსწინარე მდგომარეობა, პათოლოგიური ცვლილებები, რ-ებიც წინ უსწრებს კიბოს. ყველაზე ადრე დაადგინეს კანის კიბოს კ. მ., რ-იც კლინიკურადაც ადვილი გამოსაცნობია. უფრო გვიან აღწერეს ქვედა ტუჩის, სარძევე ჯირკვლის, კუჭისა და სხვ. ორგანოების კ. მ. განარჩევენ კანის, ლორწოვანი გარსისა და ჯირკვლოვანი ორგანოების კ. მ-ს. კანის ობლიგატური კ. მ. თითქმის ყოველთვის კიბოდ გადაიქცევა, ხოლო კანის ფაკულტატური კ. მ. შეიძლება გადაიზარდოს კიბოდ. კლინიკურად ობლიგატური კ. მ-ა სწორი ნაწლავის პოლიპოზი (მემკვიდრული ხასიათის), კანის პიგმენტური ქსეროდერმა და ბროუენის დერმატოზი. ლორწოვან გარსზე, რ-ითაც ამოფენილია საჭმლის მომნელებელი ტრაქტი პირის ღრუდან სწორ ნაწლავამდე და შარდსასქესო ორგანოები, განარჩევენ შემდეგ კ. მ-ს: ლეკოპლაკიას, პოლიპს, პაპილომას, ქრონ. წყლულს, საშვილოსნოს ყელის ეროზიას და ქრონ. ანთები პროცესს. ჯირკვლოვანი ორგანოების კ. მ-ს შეიძლება მივაკუთვნოთ ადენომა, ცისტური მასტოპათია და დამატებითი რუდიმენტული ორგანოები. *კ. მადი.*

კიბრიკი ევგენი ადოლფის ძე [8. (21). II. 1906, ვოზნესენსკი, ახლანდ. ნიკოლაევის ოლქი, უკრ. სსრ, — 16. VII მოსკოვი], რუსი საბჭ. გრაფიკოსი და ფერმწერი. სსრკ საბ. მხატვარი (1967), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1962). სწავლობდა ოდესაში, სახვითი ხელოვნ. ინ-ტში (1922—25) და ლენინგრადში, სამხატვრო აკადემიაში (1925—27). „ანალიტიკური ხელოვნების ოსტატების" ჯგუფის წევრი (პ. ფილონოვის სახელოსნო; 1926—30). ასწავლის ვ. სურიკოვის სახ. სამხატვრო ინ-ტში, მოსკოვში (1953-იდან; 1954-იდან პროფესორი). კ-ის ილუსტრაციებსა და დაზგურ ნახატებს ახასიათებს ისტ. დამაჯერებლობა და სახეთა ფსიქოლ. სისრულე. ნამუშევრები: რ. როლანის „კოლა ბრუნიონის" (1934—36), შ. დე კოსტერის „ლეგენდა ულენშპიგელზე" (1937—38), ნ. გოგოლის „ტარას ბულბას" (1943—45) ილუსტრაციები (ყველა შავი და ფერადი ავტოლითოგრაფია), ნახატების სერია — „ლენინი 1917 წელს" (ნახშირი, 1946—47, ვ. ი. ლენინის ცენტრ. მუზეუმი, მოსკოვი) და სხვ. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Халаминский Ю., Е. Кибрик, М., 1970.

კიგალი (Kigali), რუანდის დედაქალაქი. ჰავა ეკვატორული მუსონურია, მშრალი სეზონი გრძელდება ივნისიდან სექტ-მდე. საშ. თვიური ტემპ-რები 20-იდან 21°C-მდე, ნალექები 1000 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. 40 ათ. მცხ. (1974). საავტ. გზით უკავშირდება ქ. ბუჟუმბურას (ბურუნდი). სავაჭრო ცენტრი (ყავა, ტყავი, მსხვ. რქ საქონელი). ამუშავებენ ტყავს, ამზადებენ ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, თიხის ჭურჭელს, საოჯახო ნივთებს. საბნების ფ-კა. კ-ს მიდამოებში ყავის პლანტაციებია, იღებენ კალას. ქალაქის მახლობლად არის საერთაშ. მნიშვნელობის აეროდრომი.

კიგომა (Kigoma), ქალაქი დს. ტანზანიაში, კიგომის ოლქის ადმ. ცენტრი. 21,4 ათ. მცხ. (1967). ნავსადგური ტანგანიკის ტბის აღმ. ნაპირზე. დარ-ეს-სალამ — კ-ის რკინიგზის ბოლო პუნქტი. ვაჭრობენ ბრინჯით, ბამბით, მცენარეული ზეთით. კ-ის მახლობლად არის გომბეს რეზერვაცია (შიმპანზეს, კამეჩისა და სხვ. დაცვა). ხის დასამუშ., ლითონდასამუშ. და კვების მრეწვ. საწარმოები.

კიდანები, ხალხები, მონღოლური ჯგუფის ტომები, რ-ებიც უძველეს დროს მომთაბარეობდნენ ახლანდელი შიგა მონღოლეთისა და მონღ. სრ ტერიტორიაზე. ცნობილი არიან IV ს-იდან. 907 ტომის ბელადმა ილა-აბუგიმ თავი კ-ის იმპერატორად გამოაცხადა, დაიმორჩილა მეზობელი ტომები, გააფართოვა თავისი იმპერია დას-ით და ჩრდ-ით, ხოლო 926 აღმ-ში დაიპყრო ბოხაის სამეფო. 947 სახელმწიფოს დაერქვა დიდი ლიაო, 983 — კიდანების დიდი სახელმწიფო, ხოლო 1066 — კელავ დიდი ლიაო. ლიაოს სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესი იყო აღმ. აზიაში. 1005-იდან მას ჩინეთი უხდიდა ყოველწლიურ ხარკს. ლიაოს სახელმწიფო 1125 გაანადგურეს ჯურჯენებმა. კ-ის ნაწილი გადასახლდა დას-ით, შუა აზიაში (ყარაკიდანები, ყარახატაელები).

კიდეგანი, მყინვარი აღმ. კავკასიონზე, კიდეგანის ქედის აღმ. კალთაზე. ასაზრდოებს მდ. ახიელისწყალს (ასის მარცხ. შენაკადი). კარული ტიპისაა. ფართ. 0,65 *კმ*². ფირნის ხაზი გადის 3490 *მ* სიმაღლეზე. მყინვარი უკან იხევს წელიწადში საშ. 6,5 *მ*-ით. 1890—1975 წლებში მყინვარის ფართ. 0,6 *კმ*²-ით შემცირდა.

რ. შენგელია.

კიდეგანისმაღალი, კიდეგანის ქედის უმაღლესი მწვერვალი, მდ-ების ახიელისწყლის, შანისა და ხანკოლის სათავეებში, საჯიხვისღელისა და სახარისღელის უღელტეხილებს შორის. სიმაღლე 4275 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. დას. და აღმ. კალთებზე მყინვარებია. ხასიათდება მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტით. კ-ზე პირველად ავიდნენ 1936, მეორედ — 1943 ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ლ. მარუაშვილი.

კიდეგანის ქედი, აღმ. კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ტოტი, -საქ. სსრ დუშეთის რ-ნისა და ჩაჩნ.-ინგ. ასსრ საზღვარზე, მდ-ების ასისა და არმხის წყალგამყოფი. უმაღლესი მწვ. — *კიდეგანისმაღალი* (4275 *მ*), სხვა მწვერვალებია: გველისმთა, სახარისმაღალი, ჭიმღისმაღალი, ვაჟა-ფშაველას მწვ., თათელისმაღალი, მარტინისმთა და სხვ. მნიშვნელოვანი უღელტეხილებია: არხოტისთავისღელე, სახარისღელე, საჯიხვისღელე და სალაშქროსღელე. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ორივე კალთაზე ჩამოწოლილია მყინვარები. ახასიათებს მთა-მდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტი. *ლ. მარუაშვილი.*

კიდეშა, სოფელი მდ. ნერლზე, ქ. სუზდალიდან (რსფსრ ვლადიმირის ოლქი) 4 *კმ*-ზე. შემონახულია XII—XVIII სს. ხუროთმოძღვრული ანსამბლი, რ-შიც შედის: ვლადიმირ-სუზდალის ხუროთმოძღვრების ადრინდ. ძეგლი, პირველი თეთრი

ქვის ნაგებობა ჩრდ.-აღმ.-რუსეთში—ბორისისა და გლების ეკლესია (1152, გადაკეთებულია XVIII ს-ში, ფრესკები XII ს.), სამფსიდიანი, კუბისებრი, ერთგუმბათიანი ტაძარი, რ-იც ენათესავება ნოვგოროდისა და ფსკოვის ციხესიმაგრის ტიპის ნაგებობებს, აგრეთვე სუზდალის ხუროთმოძღვრების ნიმუშები—წმინდა ჭიშკარი (XVII ს. დასასრული—XVIII ს. დასაწყისი), სტეფანეს ეკლესია—(1780), კარვისებრი სამრეკლო (XVIII ს.).

КИДЪ (Kid) ტომას (6. XI. 1558, ლონდონი, — დაახლ. 30. XII. 1594, იქვე), ინგლისელი დრამატურგი; ვარაუდობენ, რომ მასზე გავლენა მოახდინა ჯ. *ლილიმ.* ჰ. *მარლოს* თანამოაზრე უნდა ყოფილიყო და ათეიზმის ქადაგებისათვის ციხეშიც მჯდარა. ცნობილია ჰ-ის პიესა „ესპანური ტრაგედია" (დაახლ. 1587 ან 1588), რ-საც 1592 დაურთო ერთვვარი პროლოგი „ხერონიმოს პირველი ნაწილი" (გამოქვეყნდა 1605). ჰ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე ტრაგედიებს „სოლიმან და პერსიდა" (დაახლ. 1588, გამოქვეყნდა 1592) და „ჰამლეტი" ანდა „ჰამლეტის შურისძიება". ეს უკანასკნელი შესაძლებელია შექსპირმა გამოიყენა.

КИДЪЛИ СИСТЕМЕБИ ДА КОНСТРУКЦИЕБИ, სამშენებლო კონსტრუქციები, რ-თა ძირითადი მზიდი ელემენტები მხოლოდ გაჭიმვაზე მუშაობს. მათი ნაკლია განმბრჯენი ძალვების წარმოქმნა (იხ. *განმბრჯენი სისტემა*) და დიდი დეფორმირებადობა ადგილ. დატვირთვის ქვეშ. განმბრჯენი ძალვების გადასაცემად აკეთებენ ანკერულ საძირკვლებს ან ე. წ. კონტურულ კონსტრუქციებს, ხოლო დეფორმირებადობას ამცირებენ მასტაბილიზებელი ელემენტებით (საჭიმარი, ირიბანა და სხვ.). წრფივი ელემენტებისაგან (ვანტებისაგან) შედგენილ გეომეტრიულად უცველელ ჰ. ს. და ჰ-ს *ვანტურ კონსტრუქციებს* უწოდებენ.

ჰ. ს. და ჰ. ორგვარია: ბრტყელი და სივრცული; ბ რ ტ ყ ე ლ ი ს უმარტივესი სახეობაა საყრდენებში ჩამაგრებული გვარლი, რ-ზეც ჩამოკიდებულია ადგილ. დატვირთვის მზიდი ელემენტები, ბრტყელ ჰ. ს. და ჰ-ს უმთავრესად იყენებენ კიდულ ხიდებში, კიდულ გადახურვებში, ბაგირგზებზე, მილსადენების საკიდ გადასასვლელებზე (ნახ. 1) და ა. შ. ს ი ვ რ ც უ ლ ს კ ი —ძირითადად დიდმალიანი საზ. და სამრეწვ. შენობების გადახურვაში. სივრცული ჰ. ს. და ჰ. მათი კონსტრ. გადაწყვეტის მიხედვით არის ერთსარტყლიანი, ორსარტყლიანი, უნაგირისებრი და სხვ.

ე რ თ ს ა რ ტ ყ ლ ი ა ნ ი კ ი დ უ ლ ი გ ა დ ა ხ უ რ ვ ა წარმოადგენს პარალელური გვარლების სისტემას, ბადეებს ან მემბრანებს, რ-ებიც ქმნიან ცილინდრულ ან პარაბოლოიდურ ზედაპირებს. განივი დატვირთვა მზიდ ელემენტებს, ჩვეულებრივ, ფენილით გადაეცემა. კონსტრუქციის სიხისტეს ზრდიან ფენილის წონის გადიდებით ან ფენილის დამონოლითებით, რაც სისტემას კიდულ *გარსად* აქცევს. როცა ფენილი მსუბუქია, ვანტურ საჭიმარებს უმატებენ (ნახ. 2). ო რ ს ა რ ტ ყ ლ ი ა ნ ი კ ი დ უ ლ ი გ ა დ ა ხ უ რ ვ ა წინასწარ დაძაბული სისტემაა, რ-იც ამოზნექილობით საწინააღმდეგო მხარეებზე მიმართული მრუდწირული სარტყლებისაგან შედგება. უ ნ ა გ ი რ ი ს ე ბ რ ი კ ი დ უ ლ ი გ ა დ ა ხ უ რ ვ ა (ნახ. 3) ჩვეულებრივ შედგება ურთიერთგადაკვეთილი ჩაზნექილი და ამოზნექილი გვარლების სისტემებისაგან, რ-ებიც ბადეს ან გარსს ქმნიან. ასეთი კონსტრუქციების უმრავლესობა წინასწარ დაძაბულია.

ჰ. ს. და ჰ-ის მონტაჟს ჩვეულებრივ უხარაჩოებოდ (მსუბუქი ამწევი მექანიზმების მეშვეობით) აწყობენ, რაც აიაფებს მშენებლობას და ამცირებს მის ვადებს. ამ სახის კონსტრუქციები მსოფლიოში პირველად 1826 გამოიყენა ჩეხმა ინჟინერმა ფ. შირხმა, რ-მაც ააგო ამ ტიპის ნაგებობები ჩეხოსლ. რამდენიმე ქალაქში. სსრკ-სა და საზღვარგარეთ ამ სახის კონსტრუქციები ფართოდ გავრცელდა II მსოფლიო ომის შემდეგ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლენინგრ. სპორტ. დარბაზის („საიუბილეოს"), ტოკიოსა და მიუნხენის ოლიმპიურ ნაგებობათა კიდული გადახურვები.

ო. ხულაბერიძე.

ზემოთ—სამმალიანი საწყობის შენობა. გადახურვა კიდულია. ქვემოთ—უნაგირისებრი ნაგებობის საერთო ხედი (როლი - არენა. აშშ). დახურვა კიდულია.

КИДУРЕБИ, ცხოველებისა და ადამიანის სხეულის ნაწილი, რ-იც სივრცეში გადაადგილების (ლოკომოციის) ფუნქციას ასრულებს ან, მეორეულად, სხვა რამ ფუნქციას იძენს. სხვადასხვა ცხოველის ჰ. წარმოშობით განსხვავებულია, მაგრამ მსგავს ფუნქციებს ასრულებს (*ანალოგიური ორგანოები*). რგოლოვან ჭიებსა და უხერხემლოთა ზოგ სხვა ჯგუფებს სხეულის ყოველ სეგმენტზე აქვთ თითო წყვილი მოკლე ჯაგრებიანი გამონაზარდი — ე. წ. პარაპოდიუმი, რ-ითაც ისინი ცურავენ ან დაცოცავენ. ფეხსახსრიანებს პარაპოდიუმები გადაქცეული აქვთ რთულ, მრავალსახსრიან ბერკეტებად (ფეხებად); თანაც სხეულის ნაწილებად (თავი, მკერდი, მუცელი) სეგმენტების გაერთიანების გამო ლოკომოტორულ ფუნქციას ჰ. ინარჩუნებს, ზოგი რედუცირდება, ზოგიც სხვა ფუნქციას იძენს.

უდაბლესი ქორდიანების ლარვებს, უქალოებს, წყლის ხერხემლიანების ჩანასახებსა და ლარვებს ზურგზე, მუცელზე და ზოგჯერ გვერდებზე კანის უჩონჩხო და უკუნთო ნაოჭები აქვთ, რ-თაგან ხერხემლიანებს კენტი და წყვილი ჰ. უკითარდებათ. ჰ-ის ჩონჩხი ორგვარ ელემენტს შეიცავს: პირველადს (ხრტილოვანი ან ხრტილის შემნაცვლებელი ძვლებისაგან შემდგარი) და მეორეულს (კანისეული ძვლები), რ-იც მხოლოდ თევზებს აქვთ განვითარებული. კენტი ჰ-ის მუსკულატურა სუსტია, წყვილისა კი — მეტ-ნაკლებად მძლავრი ან ანტაგონისტურ ჯგუფებად დიფერენცირებული (მომხრელები და გამშლელები, პრონატორები და სუპინატორები).

კ ე ნ ტ ი ჰ. მხოლოდ წყლის ხერხემლიანებს აქვთ (ზურგის, კუდის, კუდქვეშა ფარფლები); ლოკომოტორული მნიშვნელობა მარტო კუდის ფარფლს აქვს, დანარჩენი კი ხელს უწყობს სხეულის ვერტ. მდებარეობის შენარჩუნებას და წინსვლითს მოძრაობას. კენტი ფარფლებისმაგვარი ნაწილები უჩნდებათ მეორეულად წყალში გადასულ ხმელეთის ცხოველებსაც (იქთიოზავრები, ვეშაპები და სხვ.).

წ ყ ვ ი ლ ი ჰ., რ-ებიც არა აქვთ მხოლოდ უყბოებს (მრავალპირიანები და ამომწყდარი ჯგუფები), უკავშირდებიან ჰ-ის სარტყლებს. თევზების წყვილი ჰ-ია მკერდისა და მუცლის ფარფლები, რ-ებიც საჭის როლს ასრულებენ. მათი განვითარების ხარისხი, მდებარეობა და აღნაგობა სხვადასხვა ეკოლოგიურ ჯგუფში სხვადასხვაა. ორგვარადმსუნთქავთა და მტევანფარფლიანთა წყვილი ჰ. ფსკერზე საცოცავ ორგანოებად იქცა. ასეთი ფარფლებიდან წარმოიქმნა ხმელეთის ხერხემლიანთა ხუთთითა ჰ. ხმელეთის ხერხემლიანთა ერთ-ერთი სალოკომოციო ორგანოებია. ყოველი მათგანი დიფერენცირებულია სტილოპოდიუმად (წინა კიდურში — მხარი, უკანაში — ბარძაყი); ზეგოპოდიუმად (წინაში — წინამხარი, უკანაში — წვივი); ავტოპოდიუმად (წინაში — მტევანი, უკანაში — ტერფი), რ-იც თავის მხრივ იყოფა ბაზიპოდიუმად (წინაში — მაჯა, უკანაში—უკანა ტერფი) და აკროპოდიუმად (წინაში — ნები და თითები, უკანაში — წინა ტერფი და თითები). უმდაბლეს ფორმებს უფრო მძლავრად ჰ-ის დისტალური ნაწილები (მტევანი, ტერფი) აქვთ განვითარებული, უმაღლესებს — პროქსიმალური (განსაკუთრებით მხარი, ბარძაყი). ხმელეთის ხერხემლიანთა *ძლიერი ადაპტიური რადიაციისა* და ლოკომოციის ხერხების დიდი მრავალფეროვნების გამო, ჰ-ის აგებულებაც უაღრესად მრავალგვარია (სავალი, სარბენი, სათხრელი, სატაცი, საფრენი, საცურავი ჰ.). ჰ. ხშირად ძლიერ გარდაქმნილია (მაგ., ფრინველების ფრთები, ვეშაპების ფარფლები), ხშირია აგრეთვე ჰ-ის ნაწილების მეტ-ნაკლები რედუქცია, ზოგჯერ კი არსებობს სრულიად უფეხო ფორმები და მთელი ჯგუფებიც კი (უფეხო ამფიბიები, უფეხო ხვლიკები, გველები), რ-ებიც (თევზების მსგავსად) ტანის მუსკულატურით მოძრაობენ. ხერხემლიანთა ჰ. *ჰომოლოგიური ორგანოების* სავალსაჩინო მაგალითია.

КИДУРЕБИС САРТЫЛЕБИ, ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების ჩონჩხის ნაწილი, რ-ითაც წყვილი კიდური ტანის ჩონჩხს უკავშირდება და რ-საც კიდურების მამოძრავებელი კუნთები ემაგრება. ჰ. ს. ორია: წინა (ადამიანის — ზედა) ანუ მხრის და უკანა (ქვედა) ანუ მენჯისა. ჰ. ს-ს აქვს 2 ნაწილი — ქვედა (წინა) და ზედა (უკანა). მასში განასხვავებენ პირველად (ხრტილი ან ხრტილისეული ძვლები) და მეორეულ (კანისეული ძვლები) ელემენტებს.

მ ხ რ ი ს ს ა რ ტ ყ ე ლ შ ი პირველადი ელემენტებიდან ყველაზე ხშირია კ ო რ ა კ ო ი დ ი და პ რ ო კ ო რ ა კ ო ი დ ი (ქვემოთ) და ბ ე ჭ ი ს ძ ვ ა ლ ი (ზემოთ); მეორეული ელემენტებიდან კ ლ ა ვ ი წ ი (ქვემოთ) და კ ლ ე ი თ ა რ უ მ ი (ზემოთ). მათი შეერთების ადგილზე კიდურის მისამაგრებლად სასახსრე ზედაპირია. თევზებს პირველადი ელემენტები სუსტად განვითარებული და ხშირად ხრტილოვანი აქვთ; მეორეული ელემენტები ბევრია და ზოგი მათგანი სარტყელს ქალასთან აკავშირებს. ხმელეთის ხერხემლიანების მხრის სარტყელში, პირიქით, პირველადი ელემენტებია კარგად განვითარებული. ძუძუმწოვრების გარდა ყველას აქვს კორაკოიდი და პროკორაკოიდი; მეორეულ ელემენტთაგან შერჩენილია ლავიწი, რ-იც ხშირად სახეცვლილია (მაგ., ფრინველების „ავქაში"), ძუძუმწოვრების ზოგ ჯგუფს კი (მტაცებლები, ჩლიქოსნები) სულაც აღარა აქვთ. ხმელეთის ხერხემლიანთა მხრის სარტყელი მუცლის მხარეზე მიმაგრებულია მკერდის ძვალთან, რაც მას ნეკნების მეშვეობით ხერხემალს უკავშირებს.

მ ე ნ ჯ ი ს ს ა რ ტ ყ ე ლ შ ი მეორეული ელემენტები არ არის. თევზებს იგი თითქმის განუვითარებელი აქვთ და კუნთებში ჩაფლული ხრტილით ან ძვლითაა წარმოდგენილი. მისი შემდგომი განვითარება კიდურების მეშვეობით გადაადგილებამ განაპირობა (ხმელეთის ხერხემლიანები, ნაწილობრივ ორგვარადმსუნთქავი და მტევანფარფლიანი თევზები). მენჯს ქმნის ბ ო ქ ვ ე ნ ი ს, ს ა ჯ დ ო მ ი ს

კიდექშა. არქიტექტურული ანსამბლი. XII—XVIII სს. საერთო ხედი.

კიდული სისტემები და კონსტრუქციები. მილსადენის საკიდი გადასასვლელი.







კიევი. ვიდუბეცკის სამონასტრო ანსამბლი. XI—XVIII სს



კიდურების სარტყლები. ხერხემლიანთა მხრის სარტყელი (ხედი მარცხნიდან): ა—ზეიგენი; ბ—მტევანფარფლიანი თევზი; გ—პრიმიტიული ამფიბია; დ—პატერია; ე — ფრინველი; ვ — მხეცისნაირი ქვეწარმავალი (პელიკოზაური); ზ—კლოაკიანი ძუძუმწოვარი (ეხვინისკარტა); თ — პლაცენტიანი ძუძუმწოვარი. 1—ლავიწი; 2—კლეითრუმი; 3—სკაპულოკორაკოიდი; 4—სასახსრე ფოსო; 5—ბეჭი; 6—კორაკოიდი; 7—ლავიწთაშორისი; 8—მკერდის ძვალი; 9—უკანა კორაკოიდი; 10—წინა კორაკოიდი; 11—აკრომიონის მორჩი; 12—კორაკოიდის მორჩი.

(ქვემოთ) და თ ე ძ ო ს (ზემოთ) ძვლები, რ-თა შეერთების ადგილზე ღრმა ტაბუხის, ბუდეა, ბარძაყის შესასახსრებლად (ძუძუმწოვრებსა და ადამიანს აქ პატარა ტაბუხის ძალი აქვთ ჩართული, თანაც ყველა ძვალი შერწყმულია დიდ უ ს ა ხ ე ლ ო ძვლად). თეძოს ძვლით მენჯი მიმაგრებულია ხერხემალთან (1 ან მეტ გავის მალასთან), რაც კიდურების საყრდენს ქმნის. მენჯის მარჯვ. და მარცხ. ნახევარი წინ შეერთებულია ბოქვენის სიმფიზად (დიდი, მკვრივნაჭუჭიანი კვერცხისმდებელი ფრინველებისა და ზოგი ნამარხი ქვეწარმავლის მენჯი წინ ღიაა). უფეხო ან წყალში მცხოვრებ ფორმებს ძ. ს. მეტნაკლებად რედუცირებული აქვთ. ადამიანის ვერტიკალურად დგომის გამო მის მენჯს შიგნეულობის საყრდენის ფუნქციაც აქვს შეძენილი.

კიევი, უკრ. სსრ დედაქალაქი (1934-იდან). სსრკ-ის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწვ., სამეცნ. და კულტ. ცენტრი. კიევის ოლქის ცენტრი. სარკინიგზო, საავტ. და საჰაერო გზების დიდი კვანძი. სამდ. ნავსადგური. გაშენებულია მდ. დნეპრის ორივე ნაპირზე. იანვ. საშ. ტემპ-რა —5,8°C, ივლ. 19,5°C. ქალაქის ფართ. 780 *კმ*² (1979). მოსახლ. რაოდენობით სსრკ-ის მესამე ქალაქია (მოსკ. და ლენინგრ. შემდეგ). 2144 ათ. მცხ. (1979; 1897 წ. — 248 ათ., 1926 წ. — 514 ათ., 1939 წ. — 851 ათ., 1959 წ. — 1110 ათ., 1970 წ. — 1632 ათ.). ძ. იყოფა 10 საქალაქო რ-ნად.

ისტორიული ნარკვევი. არქეოლ. მონაცემებით, ძ-ის ტერიტორიაზე დასახლება ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში არსებულა. ქალაქის სახელწოდებას უკავშირებენ მისი ლეგენდარული დამაარსებლის კიის სახელს. ძ. დაარსდა VI—VII სს-ში როგორც აღმ. სლაეური ტომის პოლიანების ცენტრი. რუს. მატიანეებში პირველად იხსენიება 860 წ. 882 ძ. დაიპყრო მთავარმა ოლეგმა. ამ დროიდან 1132-მდე იგი კიევის რუსეთის ცენტრია. ამ პერიოდში აშენდა ძვ. რუს. ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები: სოფიოს ტაძარი, კიევ-პეჩერის ლავრა და სხვ., შეიქმნა ძვ. რუს. სამართალი („რუსსკაია პრავდა"), განვითარდა ხელოსნობა. ფეოდ. დაქუცმაცებულობის პროცესის შედეგად XII ს. 30-იანი წლებიდან ძ-მა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. 1240 იგი მონღოლებმა აიღეს. 1362 შევიდა ლიტვის დიდი სამთავროს შემადგენლობაში. 1471 გახდა კიევის საეოეეოდოს ცენტრი. 1569 ლუბლინის უნიით შევიდა პოლ. შემადგენლობაში. ძ-ის მოსახლ. ბ. ხმელნიცკის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა უკრ. ხალხის 1648—54 განმათ. ბრძოლაში. 1654 ძ. შევიდა რუს. შემადგენლობაში როგორც კიევის საეოეეოდოს (1703-იდან გუბერნიის, 1781-იდან სამეფისნაცვლოს. 1797-იდან გუბერნიის) ცენტრი. XVIII ს-ში აქ გაჩნდა პირველი სამრეწვ. საწარმოები. 1820 ძ-ში ჩატარდა *დეკაბრისტების სამხრეთის საზოგადოების* ყრილობები. 1845—47 მოქმედებდა კირილე-მეთოდეს ფარული საზ-ბა, რ-ის რევ. ფრთას ხელმძღვანელობდა ტ. შევჩენკო. 1879 მოხდა რკინიგზელთა პირველი გაფიცვა. 1889 ჩამოყალიბდა პირველი ს.-დ. წრე, ხოლო 1897 — „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი". 1905—07 რევ. დროს ძ. იყო უკრაინაში რევ. მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრი. 1917 თებ. რევ. შემდეგ შექმნილ მუშათა დეპუტატების საბჭოში უმრავლესობა მოიპოვეს მენშევიკებმა და ესერებმა. ერთდროულად ჩამოყალიბდა კონტრრევ. ცენტრ. რადა, მაგრამ იატაკქვეშეთიდან გამოსული რსდმპ (ბ) კიევის ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა საბჭ. ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლას. 1917 წ. 29 ოქტ. (11 ნოემბ.) ძ-ში დაიწყო მუშებისა და რევ. ჯარისკაცების აჯანყება, რ-იც მათი გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ხელისუფლება ხელთ იგდო ცენტრ. რადამ. 1918 წ. 1 მარტს ძ. დაიპყრეს გერმ. ოკუპანტებმა და შექმნეს გენ. პ. სკოროპადსკის მთავრობა. 1918 წ. 14 დეკ-იდან ძ-ში პეტლიურა გაბატონდა. 1919 წ. 5 თებ. წითელმა არმიამ გაათავისუფლა ქალაქი. 1919 წ. 31 აგვ. ძ. აიღეს დენიკინელებმა, 16 დეკ წითელმა არმიამ კვლავ გაათავისუფლა იგი. 1920 წ. 6 მაისს ძ. დაიკავეს პოლ. ჯარებმა, რ-ებიც 12 ივნისს უკვე განდევნეს ქალაქიდან. ძ. მშვიდობიან მშენებლობას შეუდგა და ომამდელი ხუთწლედების მანძილზე იგი მძლავრ სამრეწვ. და კულტ. ცენტრად გადაიქცა.

გერმ. ფაშისტთა ოკუპაციის (1941 წ. 20 სექტ. — 1943 წ. 6 ნოემბ.) დროს ძ-ის მოსახლ. იატაკქვეშა პარტ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შეუპოვრად ებრძოდა დამპყრობლებს. 1943 წ. 6 ნოემბ. უკრ. I ფრონტის ჯარებმა გაათავისუფლეს ქალაქი. 1954 წ. 22 მაისს ძ. ლენინის ორდენით დაჯილდოვდა 1961 გმირქალაქს მეორე ლენინის ორდენი გადაეცა, 1965 კი—მედალი „ოქროს ვარსკვლავი". 1961 დაარსდა მედალი „კიევის დაცვისათვის".

ეკონომიკა. ძ-ის ეკონ. განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია ხელსაყრელმა გეოგრ. მდებარეობამ. საბჭ. ხელისუფლების წლებში ძ. მრავალდარგიანი მრეწვ. უდიდესი ინდუსტრ. ცენტრი გახდა. ფაშისტთა მიერ 1941—43 მიყენებული უდიდესი ზარალის მიუხედავად უმოკლეს ვადაში აღდგა ქალაქის მრეწველობა, რ-შიც ახლა წამყვანია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. მრეწვ. ამ დარგებიდან განვითარებულია რთული და ზუსტი, აგრეთვე სატრანსპ. მანქანათმშ., დაზგების, სამშენებლო-საგზაო მანქანების წარმოება, ხელსაწყოთმშენებლობა (ფოტო-კინო-რადიოაპარატურა, სხვადასხვა ზუსტი საზომი ხელსაწყოები, გამოთელითი ტექ. საშუალებანი და სხვ.), ელექტროტექ. და ქიმ. მანქანათმშ., კვების მრეწვ., ვაჭრობისა და საზ. კვებისათვის საჭირო, სამედ., სანიტ.-ტექ. და სხვა ტექნოლ. მოწყობილობის წარმოება. ქიმ. მრეწვ. წარმოდგენილია ქიმ. ბოჭკოს, ქიმ. ნაკეთობათა, ლაქ-საღებავების, პლასტმასების, რეზინის, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სხვა ქ-ნებით. შექმნილია საშენ მასალათა და ხის დასამუშ. მრეწვ. ახ. საწარმოები. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსუბუქი და კვების მრეწველობა. შექმნილია მძლავრი პოლიგრ. მრეწველობა. ძ-ის მახლობლად, ჩრდ-ით, არის კიევის ჰესი (წყალსაცავით). ქალაქი საწვავ აირს იღებს ხარკოვის ოლქიდან და კარპატისპირეთიდან. ძ-ის გარშემო შექმნილია საგარეუბნო ტიპის დიდი სას.-სამ. ბაზა, რ-იც ქალაქს ამარაგებს ბოსტნეულით, კარტოფილითა და მეცხოველეობის პროდუქტებით. ფართოდაა გაშლილი საბინაო მშენებლობა. საბინაო ფონდი 26,1 მლნ. *მ*² (1974), მ. შ. უდიდესი ნაწილი აშენებულია 1946 შემდეგ. გაიზარდა ქალაქის ტერიტ., შეიქმნა ახ. საცხოვრ. მასივები, განსაკუთრებით დნეპრის მარცხ. სანაპიროზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს ძ-ის მოსახლ. 1/4. მწვანე ნარგავების საერთო ფართობი 382,8 ათ. *ჰა* (1978), ბევრია პარკი და სკვერი. ქალაქის ტერიტ. 5,5 ათ. *ჰა* წყლის სიერცეს უჭირავს.

არქიტექტურა. X ს-ში ძ. იყოფოდა ზედა (ძვ. ძ.) და ქვედა (პოდოლი) ნაწილებად. XI ს-ში ზემო ქალაქის კომპოზიციურ ცენტრს სოფიოს ტაძარი წარმოადგენდა (1037; გადააკეთეს XVII ს-ში; ფრესკები და მოზაიკა XI ს.), ამ ხანებში აშენდა კიევ-პეჩერის ლავრის პირველი ნაგებობები. XII ს. მიეკუთვნება მაცხოვრის (1113—25; გადააკეთეს 1640—43; მოხატულობა XII ს. და 1644), კირილეს (XII ს. შუა წლები; გადააკეთა ი. გრიგოროვიჩ-ბარსკიმ XVIII ს-ში; მოხატულობა XII, XVII და XIX სს.) ეკლესიები; XVII ს-ში აშენდა ნიკოლა პრიტისკისა (1631) და ილიას (1692) ეკლესიები; XVII — XVIII სს-ში—უკრ. და რუს. ბაროკოს სტილის ნაგებობები: ვიდუბეცკის მონასტრის გიორგის ეკლესია, სატრაპეზო (1696 — 1701) და სამრეკლო (1727—33); ანდრიას ეკლესია (1748—67, არქიტ. ბ. რასტრელი, ი. მიჩურინი; როკოკოს სტილის მოხატულობა ა. ანტროპოვისა და სხვ.); სასახლეები. XIX ს. I ნახევარში აშენდა კლასიციზმის სტილის შენობები (ეკლესია-როტონდა ასკოლდის საფლავზე, 1809—10, არქიტ. ა. მელენსკი; ლანშენი, 1936). XIX ს. II ნახევარში ძ. განაშენიანდა სტილიზებული და ეკლექტიკური შენობებით: ვლადიმირის ტაძარი (1850—96; არქიტ. ვ. ბერეტი, პ. სპარო, ვ. ნიკოლაევი; მოხატულობა ვ. ვასნეცოვისა, მ. ნესტეროვისა და სხვ.) და სხვ. დაიდგა მთავარ ვლადიმირის (ბრინჯაო, 1853, მოქანდაკეები ვ. დემუტ-მალინოვსკი, პ. კლოდტი, არქიტ. კ. ტონი), ბოგდან ხმელნიცკის (ბრინჯაო, გრანიტი, 1870—88, მოქანდაკე მ. მიკეშინი) ძეგლები. 1938—40 შედგა ძ-ის გენ. გეგმა. აშენდა მონუმ. საზ. და საცხოვრ. შენობები: უკრ. სსრ მინისტრთა საბჭო (1934—38, არქიტ. ი. ფომინი, პ. აბროსიმოვი), უკრ. სსრ უმაღლესი საბჭო (1936—39, არქიტ. ვ. ზაბოლოტნი), ცენტრ. რესპ. სტადიონი (1936—46, არქიტ. მ. გრეჩინა); დაიდგა ტ. შევჩენკოს ძეგლი (ბრინჯაო, გრანიტი, 1938, მოქანდაკე მ. მანიზერი, არქიტ. ე. ლევინსონი). სამამულო ომის წლებში ქალაქი ძლიერ დაინგრა. 1945—47 გენ. გეგმის მიხედვით შეიქმნა კრეშჩატიკის ახ. არქიტ. ანსამბლი (1947—54, არქიტ. ა. ვლასოვი, ა. დობროვოლსკი და სხვ.). 1959-იდან განაშენიანდა ახ. საცხოვრ. მასივები. 1960-იდან ამუშავდა მეტროპოლიტენი (სიგრძე 22,2 *კმ*, 1979). აშენდა სპორტის სასახლე (1958—60, არქიტ. მ. გრეჩინა, ა. ზავაროვი, ინჟ. ვ. რეპიახი), სასტუმრო „დნეპრი" (1964, არქიტ. ვ. ელიზაროვი და სხვ.), აეროვაგზალი ბორისპოლში (1966, არქიტ. ა. დობროვოლსკი და სხვ.), კულტ. სასახლე „უკრაინა" (1970, არქიტ. ე. მარინჩენკო, ი. ვაინერი, პ. ჟილიცკი) და სხვ. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის (გრანიტი, ლაბრადორი, 1946, მოქანდაკე ს. მერკუროვი), პუშკინის (ბრინჯაო, ლაბრადორიტი, 1962, მოქანდაკე ა. კოვალიოვი) და სხვა ძეგლები; ობელისკი — დიდების პარკში (გრანიტი, 1957, არქიტ. ა. მილეეცკი და სხვ.).

კიევი. კულტურის სასახლე „უკრაინა". 1970 არქიტექტორები ე. მარინჩენკო, ი. ვაინერი, პ. ჟილიცკი, ინჟინრები პ. ბულავესკი, ე. სიდორჩენკო.

კულტურული მშენებლობა, ძ-ში არის

მეცნიერებათა აკადემია უკრაინის სსრ-ისა და მისი ინ-ტები: კიბერნ., მექანიკის, ე. პატონის სახ. ელექტროშედუღების, ლ. პისარჟევსკის სახ. ფიზ. ქიმიის, დ. ზაბოლოტნის სახ. მიკრობიოლ. და ვირუსოლოგიის, ეკონ., ისტ., ფილოს., სახელმწ. და სამართლის, ა.პოტებნიას სახ. ენათმეცნიერების, ტ. შევჩენკოს სახ. ლიტ-რის; უკრ. კომპარტიის ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტი. 1978/79 სასწ. წ. ᲙᲐ-ის 18 უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებოდა 146,5 ათ. სტუდენტი, 40 საშ. სპეც. სასწავლებელში — 60,9 ათ. მოსწავლე, 302 ზოგადსაგანმან. სკოლაში—270,1 ათ., 38 პროფტექ. სასწავლებელში — 26,2 ათ.; 669 სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 138,8 ათ. აღსაზრდელი.

1979 ᲙᲐ-ში მუშაობდა 1332 ბ-კა (66 მლნ. ათ. ც. წიგნი და ჟურნალი), მ. შ. უკრ. სსრ მეცნ. აკად. ბ-კა, სკკპ სახ. უკრ. სსრ სახელმწ. ბ-კა; 19 მუზეუმი, მ. შ. უკრ. სსრ ისტ. მუზეუმი, ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრ. მუზეუმის ფილიალი, ტ. შევჩენკოს სახ. ლიტ.-სამხატვრო მუზეუმი, კიევპეჩერის ისტ.-კულტ. ნაკრძალი და სხვ.; 12 თეატრი: ტ. შევჩენკოს სახ. ოპერისა და ბალეტის აკად. თეატრი, ი. ფრანკოს სახ. უკრ. დრამ. აკად. თეატრი, ლესია უკრაინკას სახ. რუს. დრამ. აკად. თეატრი, მოზარდ მაყურებელთა რესპ. თეატრი, თოჯინების თეატრი და სხვ. 94 საკლუბო დაწესებულება, 150 სტაციონარული კინოდანადგარი, 12 პიონერთა და მოსწავლეთა სახლი და სასახლე, 59 სპორტსკოლა და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულება. ᲙᲐ-ში არის რესპ. გამომცემლობები „პოლიტვიდავი" (პოლიტ. გამომცემლობა), „რადიანსკა უკრაინა" („საბჭოთა უკრაინა"), „დნიპრო", „ვესიოლკა" და სხვ., რესპ. დეპეშათა სააგენტო, რადიო და სატელევიზიო ცენტრი (იხ. სტ. *უკრაინის სსრ*, თავი —ბეჭდვითი სიტყვა, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია). 1979 გამოდიოდა 14 რესპ. გაზეთი, საქალაქო საღამოს გაზეთი „ვეჩერნი კიევი" („საღამოს კიევი", 1927-იდან).

ჯანმრთელობის დაცვა, 1980-თვის ᲙᲐ-ში იყო 80 საავადმყოფო დაწესებულება, 159 ამბულ.-პოლიკლინიკა, 71 ქალთა და ბავშვთა კონსულტაცია და ამბულ., საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა—30,01 ათ. (140,2 საწოლი 10 ათ. მცხოვრებზე). მუშაობდა 17,03 ათ. ექიმი (79,5 ექიმი 10 ათ. მცხ-ზე). არის ექიმთა დახელოვნებისა და მრავალი სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ᲙᲐ-ის მახლობლად კლიმ. კურორტებია: ვორზელი, პუშჩა-ვოდიცა, ბოიარკა, ირპენი, კონჩა-ზასპა, სვიატოშინო; მრავალი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

ლიტ.: История Киева, т. 1—2, К., 1963—64; Шулькевич М. М., Киев. Историко-архитектурный очерк, К., 1968.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ი. ფრანკოს სახელობისა, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრი, უკრ. სსრ ერთ-ერთი წამყვანი დრამატული თეატრი. დაარსდა 1920; დადგმებიდან აღსანიშნავია („ივანე გუსი", „დიდი მიწისქვეშეთი", შევჩენკოს პოემების მიხედვით), ი. ფრანკოს „დაკრძალვა", ლ. უკრაინკას „ტყის სიმღერა" (1948), ა. კორნეიჩუკის „მაკარ დუბრავა" და „ძახველის ჭალა" (1950) (ორივე სპექტაკლი დაჯილდოდა სსრკ სახელმწ. პრემიით), ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია" და სხვ.

60—70-იანი წწ. საუკეთესო დადგმებია კოლომიიცის „იმედის პლანეტა" და „ცისფერი ირმები", კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა", ლესია უკრაინკას „კასანდრა", ბოგუსლავსკის „კრაკოველები და მთიელები" და სხვ. სხვადასხვა წლებში თეატრში მუშაობდნენ: სსრკ სახალხო არტისტები გ. იურა, ა. ბუჩმა, ვ. დობროვოლსკი, მ. კრუშელნიცკი, დ. მილიუტენკო, ი. შუმსკი; უკრ. სსრ სახ. არტისტები: ა. ბორისოგლებსკაია, ბ. ნორდი, ვ. სკლიარენკო და სხვ. 1979 დასში არიან: სსრკ სახ. არტისტები: ნ. უჟვი, ა. ვიშინსკი, ვ. დალსკი, პ. კუმაჩენკო; ო. კუსენკო, ე. პონომარენკო; უკრ. სსრ სახ. არტისტები: კ. დაშენკო, მ. ზადნეპროვსკი, ნ. კოპერაჟინსკაია და სხვ. 1970 თეატრს სათავეში უდგას რეჟისორი უკრ. სსრ სახ. არტისტი ს. სმიანი. 1970 თეატრი დაჯილდოდა ლენინის ორდენით და მიენიჭა აკად. თეატრის წოდება. 1965—67 და 1969—70 ი. ფრანკოს სახ. აკად. თეატრის მთავარ რეჟისორად მუშაობდა სსრკ სახ. არტისტი დ. *ალექსიძე*. აქ მან დადგა სოფოკლეს „ანტიგონე" (1965), კულიშის „პათეტიკური სონატა" (1966), კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა" (1976) და სხვ.

1936 ფრანკოს სახ. თეატრი თბილისში იყო გასტროლებზე.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ 1941, დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს სამხრ.-დას. ფრონტის ჯარების (სარდალი გენ.-პ. მ. კირპონოსი) ბრძოლები (11 ივლ.—26 სექტ.) ფაშისტურ არმიათა ჯგუფის „სამხრეთის" (სარდალი გენ.-ფელდმარშალი კ. რუნდშტედტი) ჯარების წინააღმდეგ კიევის დასაცავად. ფაშისტური გერმ. სარდლობას განზრახული ჰქონდა თავისი ჯარების მარცხ. ფრთის კიევთან გასვლით სამხრ.-აღმ-კენ შემობრუნებულიყო და საბჭ. ჯარებისათვის დნეპრზე გადასვლის საშუალება მოესპო. მოწინააღმდეგემ ნოვგოროდ-ვოლინსკის სამხრ-ით გაარღვია საბჭ. ჯარების თავდაცვა და 11 ივლ. ნდ. ირპენზე ვავიღეს (15 *კმ* კიევის დას-ით). სამხრ.-დას. მიმართულების ჯარების მთავარსარდლობამ (მთავარსარდალი საბჭ. კავშირის მარშალი ს. ბუდიონი, 13 სექტ.-იდან ს. ტიმოშენკო) ფრონტის ჯარებს უბრძანა მე-5 და მე-6 არმიების შემხვედრ მიმართულებებზე კონტრდარტყმით აღედგინათ გარღვეული ფრონტი და გაენადგურებინათ ჟიტომირისა და კიევისკენ გაჭრილი მოწინააღმდეგის მოტორიზებული ნაწილები. 10—16 ივლ. მე-5 არმიის ნაწილებმა კოროსტენის გამაგრებული რ-ნიდან კონტრდარტყმით უკუაგდეს მტრის 2 ქვეითი დივიზია. მე-5 და მე-6 არმიების აქტ. მოქმედებამ მიიზიდა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალები, რითაც სერიოზული დახმარება გაუწიეს კიევის დამცველებს. გერმანელებმა შეწყვიტეს კიევზე შეტევა და დაიწყეს მისი შემოვლა 2 მიმართულებით: გერმ. 1-ლი სატანკო ჯგუფი სამხრ-კენ მობრუნდა, მე-6 არმიის ძირითადი ძალები კი კოროსტენის რ-ნში დაჯგუფდნენ. ივლ. ბოლოს მოწინააღმდეგემ შეავიწროვა მე-5 არმიის ჯარები და მე-6 არმია დნეპრის გადაღმა უკუაგდო, 10 აგვ. კი კიევის გარეუბანში შეიჭრა. შეტევაზე გადასულმა საბჭ. 37-ე არმიამ უკუაგდო მტერი და 16 აგვ-თვის თითქმის პირვანდელი მდგომარეობა აღადგინა. კიევის აღების მეორე ცდაც მარცხით დამთავრდა. აგვ. შუა რიცხვებში ბრძოლა განახლდა. 8 აგვ. გერმ. მე-2 სატანკო ჯგუფმა და მე-2 არმიამ გომელს, ჩერნიგოვსა და სტარადუბს ჩრდ-იდან შეუტიეს და მდ. დესნაზე გავიდნენ. 9 სექტ. გერმ. ჯარების ჩრდ. დაჯგუფებამ ლუბნის მიმართულებით წამოიწყო შეტევა, 12 სექტ. ამავე მიმართულებით შეტევაზე გადავიდნენ გერმ. 1-ლი სატანკო ჯგუფი და მე-17 არმია. 15 სექტ. ისინი ლოხვიცის რ-ნში შეერთდნენ და გარემოცვაში მოაქციეს საბჭ. ჯარების მთელი კიევის დაჯგუფება (21-ე, მე-5, 37-ე და 26-ე არმიები). 19 სექტ. საბჭ. ჯარებმა კიევი დატოვეს და აღმ-კენ დაიწყეს უკანდახევა. სამხრ.-დას. ფრონტის ჯარების დამარცხების შედეგად მტრის ხელში აღმოჩნდა თითქმის მთელი მარცხ. ნაპირის უკრაინა. ᲙᲐ. Ш. Ю-ს, მიუხედავად წარუმატებლობისა, ჩაფუშა ფაშისტური გერმ. სარდლობის სტრატეგიული გეგმა და 2 თვით შეაფერხა მოსკ. მიმართულებით მათი შეტევა.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ დოვჟენკოს სახელობისა, მხატვრული ფილმების სტუდია. დაარსდა 1928. თავდაპირველად წარმოადგენდა სრულიად უკრაინის ფოტო-კინოსამმართველოს განყ-ბას. 1930 ეწოდა „უკრაინფილმი", 1939-იდან—კიევის კინოსტუდია, 1957-იდან ატარებს ა. დოვჟენკოს სახელს. იხ. *უკრაინის სსრ*, კინო.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲐ, დაარსდა 1913 რუსეთის მუსიკალური საზოგადოების კიევის მუს. სასწავლებლის ბაზაზე (1923—28 არსებობდა როგორც მუს. ტექნიკუმი, 1928—33 — როგორც კიევის ნ. ლისენკოს სახ. მუს.-დრამ. ინ-ტის მუს. განყ-ბა). 1934-


ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ 1941 წ.
ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐ
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲓᲜᲔᲞᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲐ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
ᲒᲝᲛᲔᲚᲘ
ᲜᲝᲒᲝᲑᲘᲚᲝᲕᲘᲩᲘ
ᲛᲝᲜᲐᲠᲘ
ᲩᲔᲠᲜᲘᲒᲝᲕᲘ
ᲠᲝᲒᲝᲜᲘ
ᲜᲝᲒᲝᲠᲝᲓ-ᲕᲝᲚᲘᲜᲡᲙᲘ
ᲙᲘᲔᲕᲘ
ᲑᲔᲠᲓᲘᲩᲘᲕᲘ
ᲑᲔᲠᲓᲘᲩᲔᲕᲘ
ᲑᲔᲠᲐᲜᲘ
ᲚᲣᲑᲜᲘ
ᲠᲝᲛᲜᲘ
ᲡᲣᲛᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠᲝᲓᲘᲨᲩᲔ

კიევის ოლქი, სოფელი ქსაფეროვკა.

იდან ეწოდა კიევის სახელმწ. კონსერვატორია. 1938 დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. 1940 მიენიჭა პ. ჩაიკოვსკის სახელი. კ. კ-ში არის საფორტეპიანო, ისტ.-თეორ., საკომპოზიტორო, სადირიჟორო, საორკესტრო და ვოკალური ფაკ-ტები, საღამოსა და მოსამზადებელი განყ-ბის ასპირანტურა, 20 კათედრა, ასისტენტურა-სტაჟირება, საოპერო სტუდია, სკოლა-სტუდია, ნ. ლისენკოს სახ. კაბინეტ-მუზეუმი, ფონოთეკა და სხვ. კ. კ-ის ბ-კაში არის 230 ათ-ზე მეტი წიგნი. სწავლობს 800-ზე მეტი სტუდენტი, მუშაობს 200-ზე მეტი პედაგოგი (მათგან 22 მეცნ. დოქტორი, პროფესორი, 100-მდე დოცენტი და მეცნ. კანდიდატი, 4 სსრკ სახ. არტისტი, 8 უკრ. სსრ სახ. არტისტი). მისი აღზრდილები არიან: გ. ვერიოვკა, ზ. გაიდაი, გ. მაიბოროდა, პ. მაიბოროდა, ნ. რახლინი, ა. სვეჩნიკოვი, დ. განატიუკი, ე. მიროშნიჩენკო, ლ. რუდენკო, პ. კარმალიუკი, ვ. ტოლბა და სხვ.

კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრი, რუსული აკადემიური დრამატული თეატრი უკრ. სსრ-ში. დაარსდა 1926. 1967—68 თეატრს ხელმძღვანელობდა სსრკ სახ. არტისტი დ. *ალექსიძე*. თეატრის საუკეთესო დადგმებია: ბ. ლავრენიოვის „რღვევა“ (რეჟ. დ. ალექსიძე 1967), მ. გორკის „მზის შვილები“ (1937), ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ (1940), ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“ (1969), ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (1972) და სხვ. დასში არიან (1979) სსრკ სახ. არტისტი ვ. დობროვოლსკი, უკრ. სსრ სახ. არტისტები: ე. ოპალოვა, ა. რეშეტნიკოვი და სხვ. 1941-იდან თეატრი ატარებს ლესია უკრაინკას სახელს. 1966 მიენიჭა აკად. თეატრ. წოდება.

კიევის ოლქი, უკრ. სსრ ცენტრალურ და ჩრდ. ნაწილში. შეიქმნა 1932 წ. 27 თებ. ფართ. 28.9 ათ. *კმ²*. მოსახლ. 4068 ათ. კაცი (1979; მ. შ. კიევში 2144 ათ.). ქალაქის მოსახლ. 74%-ს შეადგენს. ცენტრი—ქ. კიევი.

კ. ო. მდებარეობს უმთავრესად *დნეპრისპირა დაბლობის* ფარგლებში; სამხრ.-დას.-ით *დნეპრისპირა მაღლობია* (სიმაღლე 273 *მ*-მდე), ჩრდ-ით—*პოლესიე*, სამხრ-ით — შერეული ტყე (დნეპრის მარჯვენა-ნაპირეთი) და ტყე-სტეპი (მარცხენანაპირეთი). მთავარი მდინარეა დნეპრი, მისი შენაკადებია პრიპიატი, ტეტერევი, ირპენი, დესნა, ტრუბეჟი. ქ. კიევის მახლობლად მდ. დნეპრზე აგებულია *კიევის წყალსაცავი*. ოლქში განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (უმთავრესად კიევში), ქ-ნები: „კრასნი-ოკტიაბრი“, „ელეკტროკონდენსატორი“, მაცივრების და სხვ. კვების (განსაკუთრებით შაქრის, სპირტის, ფქვილ-ბურღულის, ხილ-ბოსტნეულის, ხორცისა და რძის საწარმოები), მსუბუქი (ტრიკოტაჟის, საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის) და ხის დასამუშ. (უმთავრესად აეროჯის) მრეწვ., საშენ მასალათა წარმოება. სოფ. მეურნ. სპეციალიზებულია მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, სიმინდი), ტექ. კულტურების (შაქრის ჭარხალი, სელი) წარმოებაზე. სახორცე-სარძეო მეცხოველეობა. მისდევენ მებოსტნეობას და მებაღეობას. სანაოსნოა დნეპრი, დესნა, პრიპიატი. კიევის მახლობლად სანატორიუმები და დასასვენებელი სახლეებია. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1958).

კიევის ოპერაცია 1920, სამოქალაქო ომის (1918—20) დროს, 1920 წ. 26 მაისი—16 ივნ. საბჭ. სამხრ.-დას. ფრონტის (სარდალი ა. ეგოროვი, რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრები ი. სტალინი, რ. ბერზინი) შეტევითი ოპერაცია უკრაინის ფრონტის (სარდალი გენ. ა. ლისტოვსკი) პოლონეთის არმიების წინააღმდეგ. 1920 წ. 25 აპრ. ბურჟ.-მემამულური პოლ. ჯარებმა წამოიწყეს შეტევითი ოპერაციები უკრაინაში, 6 მაისს დაიკავეს კიევი და გავიდნენ ბელაია-ცერკოვის, ლიპოვეცის, გაისინის და იამპოლის ხაზზე. სამხრ.-დას. ფრონტის სარდლობის გეგმა მიზნად ისახავდა 1-ლი ცხენოსანი და მე-12 არმიების დარტყმებით გარემოცვაში მოექციათ და გაენადგურებიათ მოწინააღმდეგის კიევის დაჯგუფება — მე-3 და მე-2 არმია და შემდეგ პოლ. მე-6 არმიაც. 5 ივნ. 1-მა ცხენოსანმა არმიამ (სარდალი ს. ბუდიონი) გაარღვია მოწინააღმდეგის ფრონტი, 7 ივნ. დაიკავა ბერდიჩევი, ჟიტომირი, გავიდა პოლ. მე-3 არმიის ზურგში და ორად გაკვეთა მოწინააღმდეგის დაჯგუფება. 8 ივნ. ფასტოვის ჯგუფმა (სარდალი ი. იაკირი) და გ. კოტოვსკის კავალერიის ბრიგადამ დაიკავეს ბელაია-ცერკოვი, 10 ივნ. — ფასტოვი, სკვირა. 11 ივნ. მე-12 არმიის სხვა ნაწილებმა (სარდალი ს. მეჟენინოვი) დნეპრის ფლოტილიასთან თანამოქმედებით ხელში ჩაიგდეს კიევ—კოროსტენის რკინიგზა ბოროდიანკისა და ირშის რ-ნში. პოლ. მე-3 არმიის ძირითადი ძალები განადგურებულ იქნა. 12 ივნ. საბჭ. ჯარები კიევში შევიდნენ. კ. ო-ით დაიწყო საბჭ. მიწიდან პოლ. ინტერვენტების განდევნა.

კიევის რუსეთი, აღმ. სლავების ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო IX—XII სს-ში. შეიქმნა VIII—IX სს. მიჯნაზე შუა დნეპრისპირეთში აღმ. სლავური ტომების გაერთიანების შედეგად. ცენტრით ქ. კიევში. იყო ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწ. გაერთიანება. მისი შექმნის წინარე ხანა — VI—VIII სს. — იყო პერიოდი ფეოდ. ურთიერთობათა ჩასახვისა სამხ. დემოკრატიის პირობებში. კ. რ-ში ჩამოყალიბდა ერთიანი აღმ. სლავი ხალხი, რ-იც შემდეგ გახდა საფუძველი 3 ეროვნების — რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების — შექმნისა.

პოლიტიკური ისტორია. ძვ. რუს. მატიანეების ცნობით, კ. რ-ის პირველი მთავარი იყო ლეგენდარული კიი (დაახლ. 852). (იხ. *კიი, შჩეკი და ხორივი*). კ. რ-ის ისტორიის შემდგომ ეტაპს კი იგივე მატიანეები უკავშირებენ ვარიაგთა (ნორმანთა) ლეგენდარული მთავრის — რიურიკის მოწვევას (862). ეს ფაქტი XVIII ს-ში საფუძვლად დაედო ანტიმეცნ. ნორმანული თეორიას კ. რ-ის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. რიურიკის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება გადავიდა *ოლეგის* ხელში, რ-მაც 882 განდევნა კიევის მმართველი ფეოდალები ასკოლდი და დირი და დაიპყრო კიევი, 883—885 დაიმორჩილა დრევლიანთა, სევერიანთა და რადიმიჩთა ტომები, ხოლო 907 და 911 ილაშქრა ბიზანტიაში. ოლეგის გარდაცვალების (912) შემდეგ აქტ. საგარეო პოლიტიკას განაგრძობდა მისი ვაჟი იგორი, რ-მაც ასევე ორგზის (941, 944) ილაშქრა ბიზანტიაში, 913 კი დალაშქრა კასპიისპირეთი. 945 დრევლიანებმა მოკლეს იგორი, მისმა მეუღლემ *ოლგამ* ერთ-ერთმა პირველმა მიიღო რუსეთში ქრისტიანობა. იგორისა და ოლგას ვაჟმა სვიატოსლავმა (964—972) დიდად გააფართოვა კ. რ-ის ფარგლები და განამტკიცა მისი საერთაშ. მდგომარეობა. სვიატოსლავი დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე ვაჟებს შორ.ის ატყდა ბრძოლა პირველობისათვის, გაიმარჯვა ვლადიმირმა (980—1015). მის დროს კ. რ-ის სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა (988—989), კერძოდ, ბიზანტ. მართლმადიდებლობა. ვლადიმირის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრე ვაჟებს შორის კვლავ ატყდა ბრძოლა, სვიატოპოლკმა მოკლა 2 ძმა — *ბორისი* და *გლები* (რ-ებიც შემდეგ რუსეთის ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა), მაგრამ იაროსლავთან ბრძოლაში დამარცხდა. დიდი მთავრის ტახტი იაროსლავ ვლადიმირის ძემ (იაროსლავ ბრძენმა, 1019—54) დაიკავა. მის დროს შესამჩნევად გაიზარდა კ. რ-ის საერთაშ. ავტორიტეტი, დაარსდა კიევის დამოუკიდებელი მიტროპოლია (1037), გაშენდა ქ-ები. იაროსლავის ვაჟებმა დაიყვეს კ. რ. და ენერგიულად ცდილობდნენ მისი ერთიანობის შენარჩუნებას. მალე ძმებს შორისაც ატყდა ომი, რ-საც შეეწირნენ იზიასლავი და სვიატოსლავი. კიევის მთავარი გახდა ვსევოლოდი (1078—93), რ-მაც ვერ შეძლო კ. რ-ის დაშლის პროცესის შეჩერება. სულ უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდნენ ცალკეული მიწების მთავრები. მდგომარეობას ვერც მთავრების ყრილობებმა (1097, 1113) უშველა. 1113 კიევის მთავარი გახდა *ვლადიმირ ვსევოლოდის ძე მონომახი*. მან შეძლო მდგომარეობის სტაბილიზაცია (ყივჩაყთა დამარცხება, ცალკეულ მთავართა დამორჩილება); მაგრამ იგი, ბუნებრივია, ვერ შეაჩერებდა ისტ. პროცესს. მისმა ვაჟმა მსტისლავმა (1125—32) კიდევ ერთხელ შეძლო ყივჩაყთა დამარცხება. მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ კ. რ. საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამთავროებად. რუსეთში დაიწყო ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდი.

მეურნეობა. კ. რ-ის არქეოლ. შესწავლამ წარმოაჩინა სოფლური დასახლებების ტიპები და მეურნ. ხასიათი. მეურნ. ძირითად დარგს წარმოადგენდა სახვნელი მიწათმოქმედება, გაჩნდა ე. წ. სამმინდვრიანი სისტემა, ითესებოდა ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი და სხვ. მოსახლ. მისდევდა აგრეთვე მესაქონლეობას, ნადირობას, თევზჭერას და ველური თაფლის მოპოვებას. სოფლურ ხელოსნობას მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა.

საზ. წყობის საფუძველს წარმოადგენდა მიწის ფეოდ. საკუთრება, რ-საც თან სდევდა თავისუფალ მიწისმოქმედთა დაყმევების მზარდი პროცესი. გაჩნდა მსხვილ ფეოდალთა და მთავართა მამულები გამაგრებული სასახლეებითურთ.

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას მოჰყვა ქ-ების გაჩენა. კ. რ-ის უძველესი ქ-ებიდან გამოირჩეოდა კიევი, ჩერ-


კიევის ოლქი
ბელაია-ცერკოვი
ბოროდიანკა
ვასილკოვი
ბოიარკა
ბორისპოლი
ბროვარი
ბარანივკა
ზგუროვკა
ბერეზანი
ბაბინცი
ბოგუსლავი
ობუხოვი
სტაიკი
ტალნოიეი
ბერეზანკა
ბელინიჩი
ბოგუსლავკა
ბორსუნ-
ბერეზანკოვაია
ბრეხუნოვი
ბაბინ
ბოგუსლავ
ბ. ბ. ბ.

ნიგოვი, პერეიასლავლი, სმოლენსკი, როსტოვი და სხვ. Ჯ. რ-ის ვაჭრობის ისტორია 2 პერიოდად იყოფა. I პერიოდი (IX—XI სს.) ხასიათდებოდა არაბი ვაჭრების როლის მნიშვნელოვანი ზრდით და ბიზანტიასა და ხაზარეთთან ურთიერთობის განმტკიცებით. II პერიოდში (XI ს. შუა წლები—XII ს.) აღინიშნა საერთაშ. ურთიერთობათა გაუარესება (არაბთა სახალიფოს დაცემა, ყივჩაყთა მოძალება და სხვ.), რამაც დასცა Ჯ. რ-ის ვაჭრობაც.

ᲡᲝᲪ.-ᲞᲝᲚᲘᲢ. ᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. Ჯ. რ-ის სახელმწიფოებრივი ფორმა იყო ადრინდ. ფეოდ. მონარქია. დიდი მთავარი — ერთპიროვნული მმართველი — ეყრდნობოდა მთლიანად მასზე დამოკიდებულ რაზმს. ამ დროს გარკვეულ როლს ასრულებდა ვეჩეც. ფეოდ. ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მთავრის მოვალეობებიც (სოც. და ეკონ. თვალსაზრისით), ხოლო მისი ძალაუფლება თანდათან იზღუდებოდა ფეოდალთა ფენის მხრივ. ქ-ებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ვაჭრებსა და ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას — ხელოსნებს. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სამღვდელოებას, რ-იც ორად იყოფოდა: შავ (ბერ-მონაზვნები) და თეთრ (ეკლესიების მსახურნი) სამღვდელოებად. სოფლის მოსახლ. შედგებოდა ჯერ კიდევ თავისუფალი და უკვე დაყმეებული მეთემეებისაგან.

Ჯ. რ-ში გამწვავებული იყო კლასობრივი ბრძოლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აჯანყებები მოხდა სუზდალში 1024, ბელოოზეროში 1071, კიევში 1068—69 და 1113.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ. Ჯ. რ-ის კულტურა გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით. იგი ეყრდნობოდა სლავი ხალხების თვითმყოფ კულტურას, მნიშვნელოვანი იყო ბიზანტ. კულტურის გავლენაც. ჩვენამდე მოღწეულია Ჯ. რ-ის ლიტ. ძეგლების საკმაო რაოდენობა, რ-თა შორის უძველესია ე. წ. ოსტრომირის სახარება. კულტ.-ლიტ. საქმიანობას ძირითადად საეკლ. პირები ეწეოდნენ (კიევის მიტროპოლიტი *ილარიონი*, მემატიანეები *ნიკონი, ნესტორი*, სილვესტრი და სხვ.). იწერებოდა მატიანეები, ჰაგიოგრაფიული თხზულებები, მოგზაურობათა აღწერები, პატრიოტული ეპოსი, დიდი ადგილი ეჭირა ბერძნულიდან თარგმნილ ლიტ-რას. Ჯ. რ-ის ლიტ. ტრადიციებზე შეიქმნა ბრწყინვალე ძეგლი „სამბავი იგორის ლაშქრობისა“.

Ჯ. რ-ის ეპოქის სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა ჩამოყალიბდა სამხრ.-სლავ. ტომების მხატვრული შემოქმედების ტრადიციებისა და უცხოურ გავლენათა (ბიზანტ., ბალკ. და სკანდ. ქვეყნები, ამიერკავკ. და ახლო აღმოსავლეთი) გარკვეული ზემოქმედებით. Ჯ. რ-ის ხელოვნებაში დიდხანს შემორჩა ძვ. სლავ. ხუროთმოძღვრების ტრადიციები. IXს .—X ს. დასაწყისში განვითარდა ქალაქ-სიმაგრეები, საფუძველი ჩაეყარა ხის ნაგებობებით გაანშენიანებულ ახ. ქ-ებს, რ-თა ქუჩები შუაში აღმართული კრემლისაკენ (კიევი, ფსკოვი) ან მდინარის პარალელურად (ნოვგოროდი) იყო მიმართული. IX ს. II ნახევრიდან მატიანეებში იხსენიება ხის ქრისტ. ეკლესიები (კიევი), რ-ებიც 5 და ზოგჯერ 13 გუმბათითაც იყო დაგვირგვინებული. ქვის პირველი ეკლესია (X ს. დასასრ.) კიევში აგებული იყო ქვისა და აგურის მონაცვლეობით ნაწყობი რიგებით (დანაყილი აგურისა და კირის ხსნარით). ასევე იყო ნაშენი ქალაქის სიმაგრეები კიევში, კიევ-პეჩერის მონასტერი, ძვ. ლადოგა (ყველა XI ს. დასასრ. — XII ს. დასაწყ.), აგრეთვე სამნავიანი (მაცხოვარ-ფერისცვალების ეკლესია ჩერნიგოვში, 1036) და ხუთნავიანი (სოფიოს ტაძარი კიევში, 1037) ტაძრები. ბიზანტ. საკულტო ნაგებობის ტიპი — ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი ძვ. რუსმა ოსტატებმა თავისებურად გაიაზრეს და შექმნეს ადგილ. ხასიათის ორიგინ. ხუროთმოძღვრული სტილი, რ-იც დიდხანს განაპირობებდა რუს. საეკლ. მშენებლობის ფორმებს (მრავალგუმბათიანობა, კამარების მრავალსაფეხუროვანი განლაგება და მათ შესაბამისად ფასადებზე დაყოლებული ნახევარწრეების — ზაკომარების რიგები, სტოა-გალერეა, რ-იც 3 მხრიდან ეკვროდა ტაძარს და სხვ.). კიევის სოფიოს ეკლესიაში (XI

კიევის რუსეთი. ოქროს სასაფეთქლე საკიდი. ტიხრული მინანქარი. XI—XII სს. უკრაინის სსრ ისტორიული მუზეუმი. კიევი.





ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲘ — აღმოსავლეთ სლავთა ტომობრივი გაერთიანებანი IX ს დასაწყისში

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ — სხვა ტომები და ხალხები

შუა დნეპრისპირეთი-აღმოსავლეთ სლავთა კულტურული და პოლიტიკური ცენტრი

კიევის რუსეთის ტერიტორია X ს–XI ს I ნახევარში

კიევის რუსეთის ტერიტორია XI ს–XII ს. I მესამედი

იმ მინების მიახლოებითი საზღვრები, რომლებიც გაჩნდა კიევის რუსეთის ტერიტორიაზე XI ს–XII ს. დასაწყისში

კიევის რუსეთის მინები, რომელიც იაროსლავ ბრძენმა სამთავროებად უანდერძა თავის შვილებს

- ᲘᲖ. — იზიასლავს
- ᲡᲕ. — სვიატოსლავს
- ᲕᲡ. — ვსევოლოდს
- ᲕᲩ. — ვიაჩესლავს
- ᲘᲒ. — იგორს

1024 — სახალხო აჯანყებათა წლები

— — — უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები

—·—·— მომიჯნავე სახელმწიფოთა საზღვრები

რუკაზე ციფრებით აღნიშნულია

1 ვოლგა-კამის ბულგარეთი

2 კონის სასულთანო

შემოკლებანი

ბ.—ბელგოროდი

ვ.—ვიშგოროდი

კ.—ნაქალაქევი კოლოდიაჟინი

ლ.—ლიუბეჩი

რ.—ნაქალაქევი რაიკოვეცკოე

სამთავროთა მთავარი ქალაქები

კიევის რუსეთი. „არქიდიაკონი სტეფანე". მოზაიკა. მიხეილის ზლატოვერხის მონასტრის ტაძარი. XII ს. დასაწყისი. სოფიოს მონასტრის მუზეუმი – ნაკრძალი. კიევი.

ს. შუა წლები) შემორჩენილია ძირითადად ბიზანტ. ოსტატთა მიერ შესრულებული ფრესკები და მოზაიკა. ამ ეპოქის მინიატურა („ოსტრომირის სახარება", 1056–57, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბ-კა, ლენინგრადი) გამოირჩევა ფერადოვნებითა და შესრულების სიფაქიზით. XI ს-ში ვითარდება ხატწერა. XI ს. II ნახევარში დაიწყო სამონასტრო მშენებლობა, ჩამოყალიბდა სამონასტრო ეკლესიის ახ. ტიპი — სამნავიანი, ექვსსვეტიანი სადა ნაგებობა, რ-იც ხშირად გარშემოსავლელის გარეშე იყო. აგებენ ერთგუმბათიან ტაძრებსაც (კიევ-პეჩერის მონასტრის მიძინების ტაძარი, 1073–78, დაინგრა 1941). XII ს. დასაწყისში ნოვგოროდის ტაძრები სამ- ან ხუთგუმბათიანია. ამ ხანების რუს. ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია იურის მონასტრის ტაძარი (ხუროთმოძღვარი პეტრე). XII ს-ში მნიშვნელოვნად შეიცვალა ფერწერის სტილიც. ბიზანტ. და ძვ. რუს მხატვართა ფრესკებსა და მოზაიკაში გაჩნდა უფრო თავისუფალი კომპოზიცია, ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებაში გამოჩნდა ინდივიდ. ხასიათი. ამავე დროს ფრესკულ ფერწერაზე გადასვლასთან დაკავშირებით გაიზარდა ადგილ. ოსტატთა როლი (სოფიოს ტაძრის სანათლავისა და კირილეს მონასტრის ტაძრის მოხატულობა — ორივე კიევში, XII ს.). ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდში კ. რ-ის კულტურის შემდგომმა განვითარებამ ძვ. რუს. სამთავროებში გადაინაცვლა. იქმნებოდა ადგილ. ხუროთმოძღვრული კერები (ვლადიმირ-სუზდალის, ნოვგოროდისა და სხვ).

კ. რ-ის ხელოვნ. მიღწევები შემდეგში საფუძვლად დაედო რუსი, უკრ. და ბელორ. ხალხების ხელოვნებას.

მრავალფეროვანი იყო მუს. კულტურა (სამხ.-საცერემონიო, ინსტრუმენტული, საციმღერო და ა. შ.).

საქართველოს ურთიერთობა კიევის რუსეთთან. X–XII სს-ში სამი უდიდესი მართლმადიდებლური სახელმწიფოს—ბიზანტიის, კ. რ-ისა და საქართველოს ურთიერთობას ცხოველი ხასიათი ჰქონდა. რუს. წყაროების მიხედვით, კიევის დიდმა მთავარმა იზიასლავმა ცოლად შეირთო (1154) „აფხაზთა" (ქართველთა) მეფის ასული. ქართ. ისტორიოგრაფიაში, არაპირდაპირ წყაროებზე დაყრდნობით, გამოთქმულია საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში ყივჩაყები გადმოასახლა ვლადიმირ მონომახთან დიპლ. მოლაპარაკების შედეგად.

კ. რ-სა და საქართველოს შორის დადასტურებულია კულტ. ურთიერთობის ფაქტებიც. კერძოდ, კ. რ-ის ეკლესიების (კიევის ლავრა, ნოვგოროდისა და ვლადიმირის ტაძრები და სხვ.) ფერწერითა და მოზაიკით შემკობაში მონაწილეობდნენ ქართვ. მხატვრები.

წყარო: Повесть временных лет, ч. 1—2, М.—Л., 1950.

ლიტ.: ბუაჩიძე თ., ძველი რუსული მწერლობა, ტ. 1, თბ., 1973; მესხია შ., ძველეკა საკვირველი, თბ., 1972; Всеобщая история архитектуры, т. 3, Л.—М., 1966; Греков Б. Д., Киевская Русь, М., 1953; Лихачев Д. С., Поэтика древнерусской литературы, Л., 1967; Русское декоративное искусство, т. 1, М., 1962.

ნ. ნაკაშიძე.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 560.

კიევის რუსული ხელოვნების მუზეუმი, რუსული ხელოვნების (ფერწერა, სკულპტურა, გრაფიკა, მხატვრული წარმოების ნაკეთობანი) ერთ-ერთი უდიდესი კოლექცია სსრკ-ში. დაარსდა 1922 როგორც კიევის სურათების გალერეა. 1934–36 იყო სამხატვრო მუზეუმის რუს. ხელოვნ. განყ-ბა. ძვ. რუს. ხელოვნ. განყ-ბაში თავმოყრილია XIII–XVII სს. ხატები. კ. რ. ხ. მ-ში ექსპონირებულია ი. არგუნოვის, დ. ლევიცკის, ვ. ბოროვიკოვსკის, ფ. შჩედრინის, ვ. ტროპინინის, პ. ფედოტოვის, ი. კრამსკოის, ვ. ვერეშჩაგინის, ი. რეპინის, მ. ვრუბელის, კ. კოროვინის, მ. ნესტეროვის, ვ. მუხინას, ა. დეინეკას და სხვ. ნაწარმოებები.

კიევის უნივერსიტეტი ტ. შევჩენკოს სახელობისა, დაარსდა კიევში 1834 (მისი წინამორბედი იყო *კიევ-მოგილას აკადემია*).

1979 კ. უ-ის შემადგენლობაში იყო ბიოლ., გეოლ., გეოგრ., ეკონ. კიბერნეტიკის, მექან.-მათ., ფიზ., რადიოფიზ., ქიმ., ჟურნალისტიკის, რომანულ-გერმ. ფილოლ., ისტ., ფილოს., ფილოლ., ეკონ., იურიდ., საერთაშ. ურთიერთობათა და საერთაშ. სამართლის, ფაკ-ტები, მოსამზადებელი (უცხოელებისათვის), საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყ-ბები, ასპირანტურა, 144 კათედრა, საზ. და საბუნებისმეტყველო მეცნ. მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინ-ტები, ფიზიოლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, გამოთვლითი ცენტრი, სამეცნ.-კვლ. სექტორი, პრობლემური ლაბორატორიები, ასტრონ. ობსერვატორია, სასწ.-კვლევითი მეურნეობა, სასწ.-საცდელი ბაზა, ბოტან. ბაღი, მუზეუმები, სასწ. ფილმების კინოსტუდია, სწავლობდა 18,5 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 1,6 ათ. მასწავლებელი, მ. შ. 25 უკრ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი, 195 მეცნ. დოქტორი და პროფესორი, 800-ზე მეტი მეცნ. კანდ. და დოცენტი. უნ-ტის ბ-კაში 1,5 მლნ. დაცვითი ერთეულია. გამოსცემს „მეცნიერულ ჩანაწერებს" (1935-იდან, უკრ. ენაზე), „სამეცნიერო წელიწდეულს" (1957-იდან), „კიევის უნივერსიტეტის მაცნეს" (1958-იდან). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1959).

კიევის შეტევითი ოპერაცია 1943, უკრაინის I (20 ოქტ-მდე ვორონეჟის) ფრონტის ჯარების მიერ ფაშისტური გერმანიის ჯარების კიევის დაჯგუფების გასანადგურებლად და კიევის გასათავისუფლებლად წარმოებული ბრძოლები (3–13 ნოემბ.) დიდ სამამულო ომში (1941–45). 1943 სექტ. ბოლოს უკრ. I ფრონტის ჯარებმა (სარდალი არმიის გენ. ნ. ვატუტინი) კიევის რ-ნში გადალახეს მდ. დნეპრი და მის მარჯვ. ნაპირზე დაიკავეს 2 პლაცდარმი: ქალაქის ჩრდ-ით—ლიუტეჟ—ვიშგოროდის ხაზზე და სამხრ-ით — ველიკი-ბუკრინის რ-ნში. ბუკრინის რ-ნიდან საბჭ. ჯარების (მე-40, 27-ე არმიების და მე-3 გვარდიის სატანკო არმიის) შეტევას წარმატება არ მოჰყოლია. ამიტომ მთავარბანაკის ბრძანებით უკრ. I ფრონტის ჯარების დარტყმის მთავარი მიმართულება ლიუტეჟის პლაცდარმზე გადაიტანეს. 1 ნოემბ. ბუკრინის პლაცდარმიდან შეტევაზე გადავიდნენ მე-40 და 27-ე არმიების ჯარები. 3 ნოემბ. 38-ე არმიამ და მე-5 გვარდიის სატანკო კორპუსმა 5–12 *კმ* სიღრმეზე გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა. 4 ნოემბ. ბრძოლაში ჩაებნენ მე-3 გვარდიის სატანკო არმია და 1-ლი გვარდიის კავალერიის კორპუსი. საბჭ. ჯარების შემადგენლობაში იბრძოდა ჩეხოსლ. 1-ლი ცალკე ბრიგადა (მეთაური პოლ. ლ. სვობოდა). საბჭ. ჯარებმა 6 ნოემბ. გაათავისუფლეს კიევი, 7 ნოემბ. — ფასტოვი, 12 ნოემბ.—ჟიტომირი, რის შემდეგაც უკრ. 1-ლი ფრონტის მარჯვ. ფრთისა და ცენტრის ჯარები მოწინააღმდეგის მიერ 8–15 ნოემბ. წამოწყებული კონტრდარტყმების უკუგდების მიზნით თავდაცვაზე გადავიდნენ. შეტევას განაგრძობდნენ მარჯვ. ფრთის ჯარები (მე-13 და მე-60 არმიები). 25 ნოემბ. ისინი მოზირის, კოროსტენისა და ჩერნიახოვის ხაზზე გავიდნენ. კ. შ. ო-ის შედეგად განადგურდა მოწინააღმდეგის კიევის დაჯგუფება (15 გერმ. დივიზია), განთავისუფლდა უკრ. დედაქალაქი და მის რ-ნში შეიქმნა სტრატეგიული პლაცდარმი, რ-მაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მარჯვ. ნაპირის უკრაინის განთავისუფლებაში.

კიევის წყალსაცავი, წყალსაცავი მდ. დნეპრზე, უკრ. სსრ კიევის, ჩერნიგოვის ოლქებისა და ბელორ. სსრ გომელის ოლქის ტერიტორიაზე. შეიქმნა კიევის ჰესის კაშხლით. ფართ. 925 *კმ*², მოცულობა 3,7 *კმ*³, სიგრძე 110 *კმ*, მაქს. სიგანე 12 *კმ*, საშ. სიღრმე 4,1 *მ*. გამოყენებულია წყლის ტრანსპორტისათვის, ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და ირიგაციისათვის. თევზჭერა. კ. წ-ის ნაპირზეა დასასვენებელი სახლები და პიონერთა ბანაკები. ტურიზმი.

კიევ-მოგილას აკადემია (კოლეგიუმი), უკრაინის პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რ-იც შეიქმნა 1632. კიევის ღვთის გამოცხადების ძმობის სკოლისა (არსებობდა 1615-იდან) და კიევ-პეჩერის სკოლის (1631 დააარსა კიევის მიტროპოლიტმა პეტრე მოგილამ) ბაზაზე. 1633-იდან ეწოდებოდა კოლეგიუმი, 1701-იდან — აკადემია. იღებდნენ კაზაკთა უფროსობის, შლიახტის, მდიდარი მოქალაქეებისა და სამღვდელოების შვილებს. XVII ს-ში კ.-მ. ა-ს ჰქონდა 8 კლასი. სწავლების ვადა იყო 12 წელი, მეცადინეობა მიმდინარეობდა უმთავრესად ლათ. ენაზე. აკადემია ამზადებდა სლავურ-ბერძნ.-ლათ. აკადემიათა მასწავლებლებს, სახ. განათლების დარგის მოღვაწეებს. ხარკოვის უნ-ტის გახსნის შემდეგ მან საბოლოოდ დაკარგა მნიშვნელობა და დაიხურა.


კიევის შეტევითი ოპერაცია 1943 წ.
არმიათა ჯგუფი „ცენტრი"
„სამხრეთი"
ბ
ბ
ბ

კიევ-პეჩერის ლავრა, რუსეთის უძველესი მონასტერი კიევში. დაარსდა 1051 იაროსლავ ბრძენის დროს. XI—XVIII სს-ში იყო მსხვილი ფეოდ. მიწათმფლობელი. ხელოვნურად შექმნილ გამოქვაბულებში (ძვ. რუს. „პეჩერი") განლაგებული იყო ბერების საცხოვრებლები და ტაძრები. XI—XII სს-ში კიევ-პეჩერის მონასტერი იყო ძვ. რუს. კულტ. ცენტრი. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ რუსი მემატიანეები, მ. შ. *ნესტორი*. ლავრა ეწოდა 1598. XVI ს. დასასრ. და XVII ს-ში დიდ როლს ასრულებდა რომის ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. XIX—XX სს-ში მხარს უჭერდა ცარიზმს და იბრძოდა რევ. მოძრაობის წინააღმდეგ. 1929 მონასტერი დაიხურა. 1942—61 კვლავ მოქმედებდა. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს კ.-პ. ლ. გაძარცვეს და დაანგრიეს გერმ. ფაშისტებმა. 1944-იდან რესტავრირებულია.

კ.-პ. ლ-ის არქიტ. კომპლექსში (ჩამოყალიბდა XI—XVIII სს-ში) შედის: ზემო ლავრა, ახლო და შორეული გამოქვაბულების კომპლექსები უძველესია მიძინების ტაძარი (1073—78, დაანგრიეს 1941), სამების კარიბჭის ეკლესია (1108. გადაკეთებულია 1722—29), უკრ. ბაროკოს სტილის ნაგებობანი — ქვის კედლები (1690—1702), ყველა წმინდის ეკლესია (1696—98) და სხვ. ახლო გამოქვაბულებში არის ჯვრის ამაღლების ეკლესია (1700), ხოლო შორეულ გამოქვაბულებში— ღვთისმშობლის შობისა (1696). კ.-პ. ლ-ის დიდი სამრეკლო (1731—45, არქიტ. ი. შედელი) მთავარი ვერტიკალია, რ-იც სამივე ანსამბლს ერთ მთლიან სივრცობრივ კომპოზიციად აერთიანებს.

„კიევ-პეჩერის პატერიკი", ძვ. რუსული ლიტერატურის ძეგლი, კრებული, რ-შიც მოთხრობილია კიევ-პეჩერის მონასტრის შექმნისა და იქ მოღვაწე ბერების ცხოვრების ამბავი. კრებულს საფუძვლად დაედო XI ს. ჩანაწერები და ზეპირი გადმოცემები. მოთხრობაში ლავრის ტაძრის მოხატულობასთან დაკავშირებით (XI ს.) ნათქვამია: „...მონასტერში მოვიდნენ ხატმწერები — ბერძნები და იბერები" (ე. ი. ქართველები). მომდევნო საუკუნეებში ძეგლი ივსებოდა ახ. ჩანაწერებითა და თქმულებებით. „კ.-პ. პ." 1661 არის დაბეჭდილი კიევ-პეჩერის ლავრის სტამბაში.

ვ. შადური.

კიელცე (Kielce), ქალაქი პოლონეთში, კიელცეს საოლქოდოს ადმ. ცენტრი. 157 ათ. მცხ. (1977). სარკინიგზო კვანძი. სამრეწვ. ცენტრი. განვითარებულია მანქანათმშენებლობა (ქიმ. მოწყობილობის, თესლების არმატურის, საკისრების, ავტოდეტალების და სხვ. წარმოება). უმაღლესი საინჟინრო და უმაღლესი სას.-სამ. სკოლები. პედ. ინ-ტი. კ. დაარსდა XII ს-ში.

კიელცე-სანდომიეჟის მაღლობი (Wyżyna Kielcko-Sandomierska), მაღლობი პოლონეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. ვისლასა და მდ. პილიცას შორის. შედგება ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ 80 *კმ*-ზე გადაჭიმული რამდენიმე პარალელური სერისაგან (მთა ლისიცა, 612 *მ*). აგებულია ქვიშაქვებით, კირქვებითა და ფიქლებით, რ-თაც ზემოდან აფარია ნეოგენისა და მყინვარული პერიოდის ფხვიერი ნალექები. კ.-ს. მ. დანაწევრებულია ღრმა ხრამებით. შემოსილია ფართოფოთლოვანი და შერეული ტყით. მისდევენ მიწათმოქმედებას, მებაღეობას. კ.-ს. მ-ზეა ქ-ები: კიელცე, სანდომიეჟი.

კიელცეს საოლქოდო (Województwo Kieleckie), ადმ. ერთეული პოლონეთში, უმთავრესად მალოპოლსკის მაღლობზე. ფართ. 9,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 1037 ათ. კაცი (1977). ადმ. ც. — ქ. კიელცე. მრეწველობაში დასაქმებულთა დაახლ. 1/2 მოდის მანქანათმშენებლობაზე (კიელცე, სტარახოვიცე, სკარჟისკო-კამენა), განვითარებულია აგრეთვე შავი მეტალურგია, საშენ მასალათა, პლასტმასის, ფეხსაცმლის, თამბაქოს ნაწარმის დამზადება. იღებენ გოგირდს, პირიტს, რკინის მადანს, ბარიტს. მთავარი სას.-სამ. კულტურებია კარტოფილი და ჭვავი. მოჰყავთ აგრეთვე ხორბალი და შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მებაღეობა და მეცხოველეობა.

კიერკეგორი, კ ი რ კ ე გ ო რ ი (Kierkegoard), სერენ (5. V. 1813, კოპენჰაგენი,—11. XI. 1855, იქვე), დანიელი ფილოსოფოსი, თეოლოგი და მწერალი, *ეგზისტენციალიზმის* წინამორბედი. ფილოსოფიისაგან მოითხოვდა კონკრ. პიროვნების სიცოცხლის საზრისის ახსნას, რასაც, მისი აზრით, ძვ. ფილოსოფია ვერ ახერხებდა, რადგან აბსტრ. ცნებებით ოპერირებდა. კონკრ. ადამიანი მუდამ დიალექტ. სიტუაციაში, ე. ი. მუდამ არჩევანის წინაშე დგას. არჩევანი აუცილებელია, მაგრამ არ არსებობს ამორჩევის საფუძველი. ამ დროს ხდება როგორც ბუნებრივი განწყობის, ისე ლოგიკისა და ეთიკისათვის მიუღებელი, ე. ი. აბსურდული არჩევანი, რისი გაცნობიერებაც იწვევს ძრწოლას, რ-ის შედეგია სასოწარკვეთილება. მხოლოდ ამგვარ ირაციონალისტურ რელიგ. პოზიციას თვლის კ. ადამიანის შესაფერად და ცდილობს გაამართლოს იგი ბიბლ. თქმულების ფსიქოლ. ინტერპრეტაციით.

კ-ის ლიტ. ნაწარმოებები უმთავრესად ფილოს. ნარკვევებია. მათში იგი გვაცნობს XIX ს. ბურჟ. საზ-ბის ინტელექტუალურ ცხოვრებას („მაცდუნებლის დღიური" (1843), — მისი მთავარი თხზულების „ან-ან"-ის ნაწილი]. აღსანიშნავია აგრეთვე „ცხოვრებისეული გზის სტადიები" (1845). კ-ის ესთეტ. იდეების გამოხატულებაა მისი ეტიუდი მოცარტის „დონ-ჟუანის" შესახებ.

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე კ. ეგზისტენციალიზმი, თბ., 1962; XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია, თბ., 1970; Г а й д е н к о П., Трагедия эстетизма, М., 1970; История философии, т. 3, [М], 1943.

გ. თევზაძე.

კივაჩი (< ფინ. kiivas—ბობოქარი), ჩანჩქერი მდ. სუნაზე (შესართავიდან 27 *კმ*-ზე), კარელ. ასსრ-ში. წყალი საფეხურებად ეშვება დაახლ. 11 *მ* სიმაღლიდან. კ-ის წყლის ნაწილი გამოყენებულია ჰესისათვის. ტურიზმი.

კივი (Kivi) (ნამდვ. გვარი ს ტ ე ნ ვ ა ლ ი, Stenvall ალექსის (10. X. 1834, ნურმიიარვი,—31. XII. 1872, სოფ. ტუსულა), ფინელი მწერალი. მის პირველ ნაწარმოებს, რომანტ. ტრაგედია „კულერვოს" (1860) ფინ. ლიტ. საზ-ბის პრემია მიენიჭა. რეალიზმის ელემენტებს შეიცავს კ-ს პიესები „ნუმის მეწალეები" (1864, სახელმწ. პრემია, 1865), „ნიშნობა" (1866), რომანი „შვიდი ძმა" (1870, გამოქვეყნდა 1873). მასვე ეკუთვნის პიესები „ლტოლვილნი" (1867), „კანციო" (1868), „ლეა" (1869), „ლეო და ლიინა" (1877—78), ლექსების კრებ. და სხვ.

კივისნაირნი (Apterygiformes), უფრთო ფრინველების რიგი. ცნობილია 3 სახეობა, რ-იც გავრცელებულია ახალი ზელანდიის კ-ებზე. მათი სხეულის წონა 0,4—4 *კგ* აღწევს. აქვთ გრძელი ნისკარტი, ნისკარტის ფუძესთან დიდი ნესტოები, ფაფუკი ბუმბული, 4-თითიანი ფეხები (უკანა თითი რუდიმენტურია). ჩონჩხი არაპნევმატურია, ლავიწი არა აქვთ. კ. მორუხომურა ფერისანი არიან. საჭის ბუმბულები არ გააჩნიათ. აქვთ კარგად განვითარებული სმენა და ყნოსვა. ბინადრობენ ნესტიან, ულრან ტყეებში. ცხოვრობენ წყვილებად (მონოგამურნი არიან). მრავლდებიან წელიწადში 2-ჯერ. დედალი დებს 1 (მეტად იშვიათად 2) კვერცხს. კრუხობს მამალი 75—77 დღის განმავლობაში. იკვებებიან ჭიებით, მწერებით, მათი ჭუპრებითა და მატლებით. სქესმწიფობას აღწევენ 3—5 წლისა. ამოწყდომის გზაზე მდგარი ფორმებია.

რ. ყორდანია.

კივუ (Kivu), ტბა აღმ. აფრიკაში, ზაირის რესპუბლიკისა და რუანდის საზღვარზე. ფართ. 2,7 ათ. *კმ*², სიღრმე 496 *მ*-მდე. მდებარეობს ტექტონ. ქვაბულში, 1460 *მ* სიმაღლეზე. ტბა წარმოიქმნა ვულკ. ლავებით ძვ. მდინარეული ქსლის გადაკეტვის შედეგად. ნაპირები ციცაბოა და შეჭრილ-შემოჭრილი. ტბაში 150-ზე მეტი კუნძულია. მდ. რუზიზით უკავშირდება ტანგანიიკის ტბას. წყალი სუსტად მომლაშოა. სანაოსნოა. მთავარი ნავსადგურები და ნავმისადგომებია: ბუკავუ, გომა (ზაირი), კისენი, შანგუგუ (რუანდა). აღმოაჩინა გერმ. მოგზაურმა ა. ფონ გეტცენმა 1894.



კივისნაირნი, ჩვეულებრივი კივი.

კიზელი ალექსანდრე რობერტის ძე [6 (18). III. 1882, მოსკოვი, — 1948], საბჭ. ბიოქიმიკოსი. მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის მცენარეთა ბიოქიმიის კათედრის ორგანიზატორი (1930) და პირველი ხელმძღვანელი. მისი ნაშრომები ეხება მცენარეებში არგინინისა და შარდოვნას გავრცელებას და ფერმენტულ გარდაქმნას; მანიტის, სხვადასხვა პოლისაქარიდის, პოლიურონიდის, ქინაქინის მჟავას არსებობასა და გარდაქმნას; მცენარეთა არაცილოვან, აზოტოვან შენაერთებს, ცილებსა და ნუკლეოპროტეიდებს; მარცვლის ბიოქიმიას.

კიზელი, ქალაქი (1926-იდან) რსფსრ პერმის ოლქში, მდ. კიზელის (კამის აუზი) ნაპირას. პერმიდან 200 *კმ*. რკინიგზის სადგური. კ-ის ქვანახშირის აუზის ცენტრი. ქვანახშირის მოპოვება. სამთო მოწყობილობის სარემონტო ქ-ნა, სამკერვალო და ავეჯის ფ-კები, ხორცკომბინატი, რძის ქ-ნა. საშენ მასალათა წარმოება. სამთო ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი, დრამ. თეატრი. კ. დაარსდა XVIII ს-ში.

კიზილი (1918-მდე ბ ე ლ ო ცა რ ს კ ი, 1926-მდე ხ ე მ-ბ ე ლ დ ი რ ი), ტუვის ასსრ დედაქალაქი, გაშენებულია ტუვის ქვაბულის აღმ. ნაწილში, მდ-ების დიდი და პატარა ენისეის შესართავთან. უსის ტრაქტის ბოლო პუნქტი, რკინიგზის სადგ. აბაკანიდან 436 *კმ*. 59 ათ. მცხ. (1977). სამშენებლო დეტალების კომბინატი, ავტოსპეცმოწყობილობის, ტყავის, აგურის, ხე-ტყის სახერხი, ლუდისა და რძის ქ-ნები, ავეჯის ფ-კა, სამკერვალო კომბინატი. კ. რესპ. კულტ. და სამეცნ. ცენტრია. არის ტუვის ენის, ლიტ-რისა და ისტ. სამეცნ. -კვლ. ინ-ტი, პოლიტექნიკუმი, სას.-სამ. ტექნიკუმი, პედ., სამედ. და ხელოვნ. სასწავლებლები. მუს.-დრამ. თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კ-ში მდებარეობს აზიის გეოგრ. ცენტრი, სადაც აღმართულია ობელისკი.

კიზირია ანატოლი პავლეს ძე [14 (27). VII. 1889, სოფ. ნოსირი, ახლანდ. ცხაკაიას რ-ნი, — 9. II. 1976, თბილისი], ქართველი საბჭ. მეცნიერი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში, სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1948),

კიევ-პეჩერის ლავრა. ახლო და შორეული გამოქვაბულების კომპლექსები. XVII ს დასასრული — XVIII ს. შუა წლები.

ვ. კიკაბიძე.

ზ. კიკალეიშვილი.

კიკეთი. ზემოთ — მილიანი ხელადა, თიხა. ძვ. წ. V ს. ქვემოთ —რკინის სამაჯური. ძვ. წ. V ს. ყველა—საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

ვ. კიკვიძე

საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი (1913) და პეტროსკოე-რაზუმოვსკოეს სას.-სამ. აკადემია (1916). მუშაობდა თბილ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში (1918—20; 1923—36), სენაკის მაზრის რევკომში, სას.-სამ. ინტ-ში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კათედრის გამგედ (1932—38), საქართვ. ზოოვეტ. სასწ.-საკვლევი ინ-ტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის კათედრის გამგედ (1938—71), საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტში კონსულტანტად (1973—76). კ-ს შრომები ეძღვნება სოფ. მეურნ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის აქტუალურ საკითხებს და სოფ. მეურნ. ტექნოლ. პროცესებში გათხევადებული აირის გამოყენებას.

თხზ.: ციტრუსების გათბობა გაზით, თბ., 1965 (თანაავტ.: ს. რობაქიძე).

კიზირია ბენიტო ივანეს ძე (დ. 18. VI. 1930, თბილისი), ქართველი საბჭ. გეოფიზიკოსი. 1953 დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. სეტყვის ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდებისა და ტექ. საშუალებების დამუშავება-დანერგვისათვის კ-ს სხვა საბჭ. სპეციალისტებთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია(1969). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

კითარა (ბერძნ. kithara), ძვ. ბერძნული ოთხსიმიანი მუსიკალური საკრავი, ქნარის ნაირსახეობა. კ-ს ჰქონდა ბრტყელი ხის კორპუსი, რ-ის 2 საყრდენი ზევით შეერთებული იყო ხის ძელით. ძვ. წ. VII ს. I ნახევარში კ-ის სიმების რაოდენობა გაიზარდა 7-მდე, შემდეგ თანდათანობით მიაღწია 18-ს. კითარისტი მომღერლები კ-ზე უკრავდნენ და მღეროდნენ, იხმარებოდა აგრეთვე როგორც სოლო საკრავი.

კითერა (kythēra), კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პელოპონესის ნ.-კ-ის სამხრ. ნაპირთან. ეკუთვნის საბერძნეთს. ფართ. 281 *კმ²*, სიმაღლე 507 *მ*-მდე. ნაპირები ციცაბო. ბუჩქოვანი მცენარეულობა. სუბტროპ. მიწათმოქმედება. თევზჭერა.

კითხვის ნიშანი, იხ. *პუნქტუაცია.*

კითხიჯი, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (გურნის სოფსაბჭო), მდ. ჭალის (წყალწითელის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 430 *მ*, ტყიბულიდან 37 *კმ*. ციხის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეხილეობა). საშ. სკოლა სოფ. გურნში (2 *კმ*). კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

კიკა-კობა, ქვედა პალეოლითური ნამოსახლარი მდ. ზუიის მარჯვ. ნაპირას მდებარე გამოქვაბულში, ქ. სიმფეროპოლიდან 25 *კმ*-ზე (ყირიმის ოლქი, უკრ. სსრ). გათხარა გ. ბონჩ-ოსმოლოვსკიმ (1924—26). ქვედა ფენაში (ადრინდ. მუსტიე) ნაპოვნია მცირე ზომის კაჟის იარაღი, ცხოველთა (გიგანტური და კეთილშობილი ირმის, საიგის, გარეული ცხენის, ვირისა და სხვ.) ძვლები. ზედა ფენაში (მუსტიე) აღმოჩნდა კაჟის წვეტანები, სხვადასხვანაირი სახოკი, გიგანტური ირმის, საიგის, ციმბირის მარტორქის, გარეული ვირის, ყარსაღისა და სხვ. ძვლები; აგრეთვე კედლის ნაშთები, რ-იც გამოქვაბულს იცავდა ცივი ქარისაგან. გამოქვაბულის იატაკში ჩაჭრილი იყო ე. წ. კლასიკური ტიპის ნეანდერტალელის სამარხი. მიცვალებული იწვა მარჯვ. გვერდზე ოდნავ ხელფეხმოხრილი (შემორჩენილია ტერფის, მუხლისთავის, ხელის მტევნისა და კბილების ნაშთები). იქვე ახლოს იყო 1 წლის ბავშვის სამარხი.

კიი, შჩეკი და ხორივი, XI—XII სს. რუსულ მატიანეებში დაცული გადმოცემით, პოლიანების ტომის მთავრები. დაარსეს 3 დასახლება, რ-ებიც საფუძვლად დაედო ქ. კიევს. არქეოლ. მონაცემები ადასტურებს კიევის რამდენიმე დასახლებიდან წარმოშობას.

კიკაბიძე ვახტანგ (ბუბა) კონსტანტინეს ძე (დ. 19. VII. 1938, თბილისი), ქართვ. კინოსა და ესტრადის მსახიობი. საქ. სსრ სახალხო არტისტი (1980). 1959-იდან საქართვ. ფილარმონიის მსახიობი 1963—66 მღეროდა ვოკ.-საკრავიერ ანსამბლ „დიელოში". 1966-იდან ანსამბლ „ორერას" სოლისტი მომღერალია (1972-იდან სამხატვრო ხელმძღ.). 1964-იდან იღებენ კინოში. შესრულეული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ბენჟამენი („არ დაიდარდო", 1968, „მოსფილმი" და „ქართული ფილმის" ერთობლივი დადგმა, რეჟ. გ. დანელია, არგენტინის საერთაშ. კინოფესტივალის მთავარი პრიზი), გიორგი მიქელაძე („მე, გამომძიებელი" 1969, „ქართული ფილმი", რეჟ. გ. კალატოზიშვილი), ჰერცოგი („წყალწყალებული", 1969, მარკ ტვენის „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლის" მიხედვით, „მოსფილმი", რეჟ. გ. დანელია), პავლე („ვერის უბნის მელოდიები", „ქართული ფილმი" 1972, რეჟ. გ. შენგელაია), მთ. როლი („ფსევდონიმი ლუკაჩი", 1974, უნგრეთ-სსრკ-ის ერთობლივი გადაღება, რეჟ. მ. ზახარისი), ოთარ ნიჟარაძე („თვალი პატიოსანი", 1976, „ქართული ფილმი" რეჟ. შ. მანაგაძე), ვალიკო მიზანდარი („მიმინო", 1978, „მოსფილმი", რეჟ. გ. დანელია; მთავარი როლის შესრულებისათვის სსრკ სახელმწ. პრემია 1979) და სხვ.

კიკალეიშვილი ზურაბ მალაქიას ძე (დ. 25 X. 1924, თბილისი), ქართველი საბჭ. ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი, პედაგოგი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1955). სკკპ წევრი 1953-იდან. დაამთავრა მოსკ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ნ. ტარასოვის კლასი). 1942-იდან თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სოლისტია. კ-ის შემოქმედება ხასიათდება მკაფიო ინდივიდუალობითა და თვითმყოფობით, მაღალი ტექ. ოსტატობითა და შინაგანი არტისტიზმით. პარტიები: ჯარჯი (ბალანჩივაძის „მთების გული"), ფრონდოსო(კრეინის „ლაურენსია"), გორდა (თორაძის „გორდა", სსრკ სახელმწ. პრემია, 1951), სოკოლოვი (თორაძის „მშვიდობისათვის"), ზიგფრიდი, დეზირე, (ჩაიკოვსკის „გედის ტბა", „მძინარე მზეთუნახავი"), პრინცი ალბერტი(ადანის „ჟიზელი"), ვაცლავი (ასაფიევის „ბახჩისარაის შადრევანი"), დავრიში (კილაძის „სინათლე", სსრკ სახელმწ. პრემია 1948), ლი შან ფუ (გლიერის „წითელი ყაყაჩო"). განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული იაგო (მაჭავარიანის „ოტელო"). კ-მა დადგა ბალეტები: გლიერის „წითელი ყაყაჩო" (1948), ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიული ნოველები" (1964) და სხვ. ეწევა პედ. მუშაობას თბილ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. გადაღებულია მხატვრულ ფილმში „ვერის უბნის მელოდიები" (რეჟ. გ. შენგელაია, 1973).

ნ. გუნია.

კიკეთი, სოფელი გარდაბნის რ-ნში (კოჯრის სადაბო საბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოებაზე. ზ. დ. 1200 *მ*, გარდაბნიდან 65 *კმ*, თბილისიდან 34 *კმ*. ტაბახმელის ბიოკომბინატის დამხმარე მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა. საკურორტო მეურნეობა. ხუროთმოძღვრული ძეგლი *კაბენი* (კ-ის მახლობლად).

კ. ადგილ. მნიშვნელობის დაბალმთიანი კლიმ., ძირითადად საბავშვო კურორტია. იცის ზომიერად რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა — 2,5°C), თბილი და მშრალი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 15—18°C), საშ. წლ. ტენიანობა 70—75%; ნალექები 600—650 *მმ* წელიწადში, მზის ნათების ხანგრძლივობა 2000—2100 *სთ*. კ-ში არის საბავშვო ბაგები, პიონერთა ბანაკები, პოლიკლინიკა. სეზონი — ზაფხულის თვეები.

სოფელი წყაროებში პირველად იხსენიება XVII ს-ში. გადმოცემით, კ-ის მკვიდრნი იყვნენ *მარაბდის ბრძოლის* (1625) გმირები 9 ძმა ხერხეულიძენი.

კ-იდან კოჯრისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს 1961 გაითხარა (ხელმძღვ. ვ. ფხაკაძე) ადრინდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო მეოთხედი) სამაროვანი. ფართ. 1200 *მ²*. აღმოჩნდა 3 ტიპის სამარხები: ქვაყრილიანი ორმოსამარხები, ქვაყრილიანი ქვის სამარხები და მშრალი წყობით ნაგები ნალის ფორმის სამარხები. ყველა სამარხი კოლექტიურია. მიცვალებულები ესვენა სხვადასხვაგვარად: გვერდზე ხელფეხმოკეცილი, გულაღმა, ზოგი მიცვალებულის ძვლები სამარხის კედლებთან იყო მიხვეტილი. აქვე გაითხარა ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ნასახლარი, სამეურნეო ორმოები და კერები. აღმოჩნდა ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ქვის იარაღი, ძვლის კვირისტავები. მსგავსი მასალა საქართველოში აღმოჩენილია მრავალ ადგილას (დიდუბე, ოზნი, თამარისი, კოდა, სამშვილდე, თეთრი წყარო, გომარეთი და სხვ.). სოფლის ტერიტორიაზე 1948 გაითხარა (ბ. კუფტინი, ტ. ჩუბინიშვილი) ადრინდ. ანტ. ხანის (ძვ. წ. V ს.) 6 ქვაყუთი. სამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები ესვენა თავით ჩრდ-კენ, ძლიერ მოკრუნჩხულ პოზაში; ქალები მარცხ. გვერდზე, მამაკაცები — მარჯვენაზე. ჩატანებული ჰქონდათ წითლად გამომწვარი და შელებილი თიხის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაული. აღსანიშნავია, რომ ანტ. ხანის კ-ის სამაროვანი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდ. ძეგლია, სადაც პირველად გვხვდება წითლად გამომწვარი კერამიკა.

ლიტ.: ფხაკაძე გ. ჭვემო ქართლის ენეოლითი (კიკეთის ენეოლითური ძეგლები), თბ., 1963.

გ. უშვერიძე. გ. ფხაკაძე. ი. გაგოშიძე. თ. თოდრია.

კიკვიძე აბელ იასონის ძე (27. IV. 1905, სოფ. ქვედა შავრა, ახლანდ. ამბროლაურის რ-ნი,—2. VI. 1980, თბილისი), ქართველი საბჭ. ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1955). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). სკკპ წევრი 1940-იდან. 1929 დაამთავრა თსუ. შემდეგ ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1938-იდან კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში თსუ-ში. 1938—40 მუშაობდა იქვე ისტ. ფაკ-ტის დეკანად, 1940—60 კი შეთავსებით — მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართველოს ფილიალში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. კ. იკვლევდა საქართველოს საუკ. და ახ. ისტ. საკითხებს. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

თხზ.: გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941; დავით აღმაშენებელი, თბ., 1942; მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870—1901 წწ.), თბ., 1945; საქართველოს ისტორია (XIX ს.), თბ., 1954; საქართველოს ისტორია. XIX—XX სს., წგნ. 2 — 3, თბ., 1959—67.

კიკვიძე ვასილ ისიდორეს ძე [28 II (12. III). 1895, ქუთაისი, — 12. I. 1919, სტანიცა იარიჟენსკაიის მახლობლად, ახლანდ. დაბა კიკვიძე, კიკვიძის რ-ნი, ვოლგოგრადის ოლქი], სამოქალაქო ომის (1918—20) გმირი. დაიბადა წვრილი მოხელის ოჯახში. სწავლობდა ქუთ. I კლასიკურ გიმნაზიაში. აქვე ჩაება რევ. მოძრაობაში, რისთვისაც გიმნაზიიდან გარიცხეს. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914—18), მსახურობდა მე-6 ცხენოსან დივიზიაში მოხალისე ჯარისკაცად. იყო მემარცხენე ესერი. არმიაში რევ. მოღვაწეობისათვის დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ 1917 თებ. რევოლუციის დროს ვანაჩენი გააუქმეს. 1917 აირჩიეს მე-6 ცხენოსანი დივიზიის ჯარისკაცთა კომიტეტის თავ-რედ და სამხრ.-დას. ფრონტის სამხ.-რევ. საბჭოს თავ-რის ამხანაგად. სამხრ.-დას. ფრონტის ჯარისკაცთა ყრილობამ 1917 ნოემბ. კ. აირჩია ფრონტის სამხ.-რევ. კომიტეტის თავ-რის მოადგილედ. 1917 დეკ. — 1918 მარტს როვნოსა და დუბნოს რ-ნებში კონტრ-

სტ. *ეკლესიის მხატვრობა* (II). **1.** „მოცეკვავეები და მუსიკოსები". ეტრუსკული ფრესკის დეტალი. დაახლ. ძვ. წ. 480—470. ე. წ. ლეოპარდების აკლდამა. ტარკვინია. იტალია. **2.** ჯოტო. „იოაკიმეს დაბრუნება მწყემსებთან". 1304—06. კაპელა დელ არენა. პადუა. **3.** თევდორე მეფის მხატვარი. „ღვთისმშობელი ყრმით და წმ. ანა". 1096. მთავარანგელოზთა ეკლესია. იფრარი. მესტიის რ-ნი. **4.** „ანგელოზები". XII ს. დიმიტრის ტაძარი. ვლადიმირი. **5.** „იოსების სიზმარი". XI ს. ატენის სიონი. **6.** „მუსიკოსი ქალები". ძვ. წ. XV ს. თებე. ძვ. ეგვიპტე. **7.** ბერძენი ოსტატი კირმანუელ ევგენიკოსი. „გაბრიელ მთავარანგელოზი". XIV ს. წალენჯიხის ტაძარი. **8.** „მსახური ანგელოზი". კომპოზიცია „მოციქულთა ზიარება". XIII ს. ახტალის მონასტრის მთავარი ტაძარი. **9.** თევდორე მეფის მხატვარი. „დიოკლეტიანე". დეტალი, კომპოზიცია „დიოკლეტიანეს მიერ წმ. გიორგის დაკითხვა".—1130 წმ. გიორგის ეკლესია. ნაკიფარი. მესტიის რ-ნი.

რევ. ცენტრ. რადას ჯარებისა და უკრ. ტერიტორიაზე გერმ. ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლებში მეთაურობდა როვნოს წითელგვარდიელთა რაზმს, რ-მაც გაათავისუფლა ქ-ები: ზდოლბუნოვი, სარნი და მონაწილეობა მიიღო ჟიტომირის განთავისუფლებაში. 1918 მარტში სარდლობდა საბჭ. უკრ. მე-4 არმიას, რ-მაც დუბნოს, ზდოლბუნოვის, ბერდიჩევის, კიევისა და სხვა რ-ნებში რამდენჯერმე აგიმა დამარცხება ცენტრ. რადას კონტრრევ. ჯარებსა და ავსტრ.-გერმ. ოკუპანტებს. ხარკოვის დაცვის დროს, 1918 აპრ. დამდეგს, მეთაურობდა ლებედინ-ახტირკის რ-ნის ჯარებს, მას ექვემდებარებოდა აგრეთვე მე-5 და დონის 1-ლი არმიები. 1918 მაისში ყოფილი მე-4 არმიის ნაწილების ბაზაზე ტამბოვში შექმნა და სათავეში ჩაუდგა დივიზიას, რ-საც შემდგომში მე-16 მსროლელი დივიზია ეწოდა. 1918 ივნ. — 1919 იანვ. კიკვიძის დივიზია მე-9 არმიის შემადგენლობაში წარმატებით ებრძოდა გენ. პ. კრასნოვის თეთრგვარდიელთა არმიას. ჰ. დაიღუპა ბრძოლაში. დაკრძალულია მოსკოვში. მისი სახელი ეწოდა მე-16 მსროლელ დივიზიას და დაბა პრეობრაჟენსკაიას ეოლგოგრადის ოლქში. ძეგლები დაუდგეს თბილისში, ქუთაისსა და კიკვიძეში.

ლიტ.: ირემაძე ა. ცოცხალი ლეგენდა, თბ., 1966; Осипов К., Начдив Киквидзе, М., 1942 *ა. ირემაძე.*

კიკიბო, სოფელი ადიგენის რ-ნში (მოხის სოფსაბჭო), არსიანის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1520 *მ*, ადიგენიდან 28 *კმ*. მოხის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. დერცელში (2 *კმ*). ბ-კა, მედპუნქტი.

კიკლადები (Kyklades), არქიპელაგი ეგეოსის ზღვის სამხრ. ნაწილში (200-ზე მეტი კუნძული). ეკუთვნის საბერძნეთს. საერთო ფართ. 2,6 ათ. *კმ*². დიდი კ-ებია: ნაქსოსი, ანდროსი, ტინოსი, პაროსი, მილოსი. კ-ები უმთავრესად კონტინენტური წარმოშობისაა და აგებულია კრისტ. ქანებითა და კირქვებით. სიმაღლე 1008 *მ*-მდე. კ-ები მილოსი და ტირა ვულკ. წარმოშობისაა. ხშირია მიწისძვრა. ჰავა ხმელთაშუა ზღვისაა. ნალექები დაახლ. 500 *მმ* წელიწადში. ბუჩქოვანი მცენარეულობა. მევენახეობა, ციტრუსების პლანტაციები, ხორბლისა და სიმინდის ნათესები. მესაქონლეობა, თევზჭერა. რკინის მადნის და ბოქსიტის საბადოები.

კიკლადების კულტურა, ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურა, რ-იც გავრცელებული იყო ძვ. წ. III—II ათასწლეულში კიკლადების კ-ებზე (არქიპელაგი ეგეოსის ზღვაში, საბერძნ. ტერიტ.), უძველესი ნამოსახლარები განეკუთვნება შუა (მავროსპილია მიკონოსზე) და გვიანდ. ნეოლითის (სალიაგოსზე, პაროსსა და ანტიპაროსს შუა) ხანას—ძვ. წ. V—IV ათასწლ. კ. კ-მ აყვავებას მიაღწია ადრინდ. რინჯაოს ხანაში. ამ დროს იქ გაჩნდა დასახლებანი, კოშკებიანი სასიმაგრო კედლები (კასტრი სიროსზე). მიცვალებულებს კრძალავდნენ ქვის ყუთებში, შემდეგ თაღოვან სამარხებში. აღმოჩენილია სპილენძისა და ვერცხლის სამკაული, შრომისა და საბრძოლო იარაღი, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკა, მეომრების, მუსიკოსების, ბავშვებიანი ქალების მარმარილოს დიდი და პატარა ქანდაკებანი. ძვ. წ. III ათასწლ. ბოლოს ჩნდება ქალაქის ტიპის დასახლებანი (ფილაკოპი). ძვ. წ. II ათასწლეულში მინოსისა და ელადის კულტურების ძლიერი გავლენა განიცადა. ძვ. წ. 1400 შემდეგ ფართოდ გავრცელდა გვიანდ. მიკენური კერამიკა და კ. კ-მ დაკარგა დამოუკიდებლობა.

კიკლიკური პოემები (<ბერძნ. kyklos—წრე, ციკლი), ბერძნული პოემების ჯგუფი, რ-იც მოიცავს ბერძნ. თქმულებათა მთლიან ციკლებს სიუჟეტური თანამიმდევრობით. კ. პ. ძირითადად შექმნილია ძვ. წ. VII ს-ში უცნობ ავტორთა მიერ. ცნობილია „ილიადის" შემავსებელი პოემები „კიპრიები", „ეთიოპიდა", „ილიონის დამხობა" და „მცირე ილიადა". „ოდისეის" ავსებდა „დაბრუნებანი" და „ტელეგონია". თებეს ციკლის დამუშავებას ეძღვნება „ოიდიპოდია", „თებაიდა", „ეპიგონები". ამ პოემებიდან შემორჩენილია უმნიშვნელო ფრაგმენტები, რ-თა მოკლე შინაარსები დაცული ყოფილა პროკლეს გვიანდ. ქრესტომათიაში.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ 1, თბ., 1950; Huxley G. L., Greek epic poetry. From Eumelos to Panyassis, L., 1969.

კიკლოპები, იხ. *ციკლოპები.*

კიკნათბერის ციხე, გვიანდელი ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე საქართველოში, ქართლში, მდ. ტანის ხეობაში, სოფ. ბობნევთან (გორის რ-ნი). შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევები. ვახუშტი (XVIII ს.) კ. Ც-ს ახასიათებს როგორც მტკიცესა და მიუვალს. კ. Ც. საკაძეთა ფეოდ. საგვარეულის ეკუთვნოდა, გიორგი საკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ სახასო გახდა.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 4, თბ., 1973.

თ. ტატიშვილი.

კიკნაძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე (15. III. 1909, ხაშური, — 16. IV. 1974, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე. თსუ-ის ახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. კათედრის პროფესორი (1962). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1929). კ-ს ეკუთვნის ფუნდამენტური მონოგრაფიები ლიტ. ისტ. და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის" (1953, 1972), „მეტყველების სტილის საკითხები" (1957); გამოკვლევები ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. კალანდაძის, ა. პუშკინის და სხვათა შემოქმედების შესახებ. კ-ს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობის შესწავლაში (მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება", 1957; წერილები „ვაჟას ფენომენი"; „ვაჟა-ფშაველა ზიგმუნდ ფროიდის წინაალმდეგ", 1966; „ვაჟა-ფშაველა ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ", 1967 და სხვ.). 1962 კ-ის თაოსნობით თსუ-ში ჩამოყალიბდა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, რ-საც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

თხზ.: ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბ., 1978.

ლიტ.: გრიგოლ კიკნაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1976. *ჯ. ჭუმბურიძე.*

კიკნაძე გრიგოლ სიმონის ძე (17. II. 1897, ხარაგაული, — 24. III. 1978, თბილისი), ქართველი საბჭ. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკი, სოციალ. შრომის გმირი (1943), სკკპ წევრი 1938-იდან.

ლენინგრ. რკინიგზის ტრანსპ. ინჟინერთა ინ-ტთან არსებული სამიმოსვლო გზების ინჟინერთა კურსების დამთავრების (1932) შემდეგ კ-ს ხელმძღვანელი თანამდებობანი ეკავა ამიერკავკ. რკინიგზაზე. 1938 დაინიშნა ამიერკავკ. რკინიგზის უფროსად. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა შრომის მოწინავე მეთოდების, ახ. ტექნიკისა და ტექნოლ. დანერგვის, მნიშვნელოვანი უბნების ელექტრიფიკაციისა და სამგზავრო მეურნ. განვითარების სამუშაოები. განსაკუთრებით სრულად გამოვლინდა მისი ორგანიზატორული უნარი დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. 1941 დაინიშნა ამიერკავკ. ფრონტის რწმუნებულად, 1942 კი დაამტკიცეს ამიერკავკ. ფრონტის სამხ. საბჭოს წევრად. სსრკ ტრანსპ. მშენებლობის სამინისტროს სატრანსპ. სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობის დროს (1954—70) უნარიანად ხელმძღვანელობდა ქვეყნის ახ. რკინიგზებზე ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციას. 1970-იდან პენსიაზეა.

კ. არაერთხელ (1947—54) აირჩიეს საქ. კომპარტიის ცკ-ის წევრად, იყო სსრკ II და III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 2 ლენინის, 2 წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშისა და კუტუზოვის I ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

კიკნაძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე [დ. 5 (18). VIII. 1917, ხაშური], ქართველი საბჭ. ინჟინერ-მექანიკოსი, საქ. სსრ დამს. ინჟინერი (1962), საქ. სსრ დამს. გამომგონებელი (1964), ტექ. მეცნ. კანდიდატი (1965), მჭრელი იარაღის რაციონალური გამოყენების სათავო საპროექტო საწარმოო საკონსტრუქტორო-ტექნოლ. ბიუროს თბილ. ფილიალის დირექტორი. სკკპ წევრი 1964-იდან. დაამთავრა საქ. ინდუსტრ. ინ-ტის მექან. ფაკ-ტი (1942). ნაშრომისათვის „გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის პროგრესული მეთოდებისა და საშუალებების კვლევა, შექმნა და დანერგვა" სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად 1975 მიენიჭა საქართვ. სსრ სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექ. დარგში. დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, 2 „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

კიკნაძე ვასილ პავლეს ძე (დ. 24. XII. 1929, სოფ. ახალშენი, წულუკიძის რ-ნი), ქართველი საბჭ. თეატრმცოდნე, საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტი (1954). ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, პროფესორი. პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თეატრ. ინ-ტში. ნაშრომები: „სანდრო ახმეტელი", „ქართველი რეჟისორები" (2 ნაწილად), „დავით კლდიაშვილის თეატრი", „სივრცე თეატრისა" და სხვ. კ. მარჯანიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1979).

კიკნაძე ვლადიმერ დავითის ძე [დ. 4 (17). X. 1908 სოფ. კვალითი, ახლანდ. ზესტაფონის რ-ნი], ქართველი საბჭ. ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1942-იდან. 1931 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1941—45 იყო საველე და ევაკოჰოსპიტლების წამყვანი ქირურგი. 1951-იდან დღემდე მუშაობს გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლევით ინ-ტში დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში. კ. შეისწავლის ჰემატოლოგიის, ტრანსფუზიოლოგიის, დამწვრობის, სხივური დაავადების და სხვ. საკითხებს. ც. მაკალათიასთან ერთად შექმნა პლაზმის გასაშრობი ახ. ავტომ. აგრეგატი და სხვ.

თხზ.: ღვიძლის როლი სისხლწარმოქმნის პროცესებში, თბ., 1962; ჰემოთერაპიის საფუძვლები, თბ., 1964 (თანაავტ.).

კიკნაძე ზურაბ გიორგის ძე (დ. 3. X. 1933, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1956). 1977-იდან თსუ-ის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგეა. 1963 გამოსცა „გილგამეშის" თარგმანი (შესავლით, ლექსიკონითა და კომენტარებით), 1969 — „თამუზის სიზმარი". კ-ის ძირითადი მეცნ. გამოკვლევაა „შუამდინარეული მითოლოგია" (1976). ჰომეროსის „ოდისეის" თარგმანისათვის (1975, თ. ჩხენკელთან ერთად) მიენიჭა ი. მაჩაბლის სახ. პრემია (1978). თარგმნა ჯ. მილტონის „სამსონი" (1966, ე. კვიტაიშვილთან ერთად), ევრიპიდეს „ბაქჩოსის ქალები" (1979) და სხვ.

კიკნაძე თამარ ივანეს ასული (დ. 8. I. 1906, ქ. თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1976). 1924 დაამთავრა თბილ. პროლეტკულტის დრამ. სტუდია. 1924—28 მუშაობდა თბილ. მუშათა თეატრში, 1928—29 — ჭიათურის სახელმწ. თეატრში, 1930—32—ფოთის

8. კიკნაძე.

ნ. დ. კიკნაძე.

რ. კიკნაძე. რესტორანი „მარაბდა", თბილისი. 1971. არქიტექტორ თ. მიქაშავიძესა და ვ. ქურთიშვილთან ერთად.

ზ. კიკნაძე.

ნ. კიკნაძე. სალვინე ჭურჭლები. შებოლილი თიხა, აღდგენითი ჭიქური. 1960. საქართველოს სსრ სურათების გალერეა. თბილისი.

სახელმწ. თეატრში, 1933 — 38 — თბილ. მუს. კომედიის თეატრში. 1938-იდან მუშაობს ლ.მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. თეატრში. კ-ის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლაურენსია (ლოპე და ვეგას „ცხვრის წყარო"), ბიანკა (შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება"), რუქაია (სუმბათაშვილის „ღალატი"), კაკალა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), ვარდო (გ. მდივნის „ვარდო") და სხვ.

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ მიხეილ გერონტის ძე (1905, სოფ. პატარა ხარაგოული, ახლანდ. ორჯონიკიძის რ-ნი, — 20. III. 1973, მოსკოვი), საბჭ. გენერალ-მაიორი (1944). არტილერისტი. სკკპ წევრი 1938-იდან. 1929 დაამთავრა მეთაურთა გაერთ. ქართული სამხ. სკოლის არტილ. განყ-ბა. 1932 ქ. სევასტოპოლის საზენიტო კურსები, შემდეგ დაამთავრა უმაღლესი საარტ. კურსები. 1938-იდან საარტ. პოლკის მეთაური. მონაწილეობდა მოსკ. დაცვისათვის საჰაერო ბრძოლებში. 1942 კ-ის პოლკს გვარდიული ეწოდა. 1943 აპრილში პოლკის ბაზაზე გვარდიული დივიზია შეიქმნა, რ-ის მეთაურად კ. დაინიშნა. ომის შემდეგ მეთაურობდა ჰაერსაწინააღო თავდაცვას. 1960-იდან თადარიგში იყო, ცხოვრობდა მოსკოვში. ავტორია ავტობიოგრ. თხზულებისა „ქართველი ჯარისკაცი" (თბ., 1973). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 5 სხვა ორდენითა და მედლებით.

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ნანა გიორგის ასული (დ. 18. IV. 1928, თბილისი), ქართველი საბჭ. კერამიკოსი; საქ. სსრ დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1959). კ-ის ნამუშევრები გამოირჩევა ფორმის კარგი შეგრძნებით, პლასტიკურობით. ნამუშევრები: ხილისა და ღვინის სერვიზი (1959, თიხა, აღდგენითი ჭიქური, საქ. სსრ სურათების გალერეა), ხილის ლარნაკები (1959, თიხა, ანგობი), ყვავილების ლარნაკი (1959, თიხა), ღვინის ჭურჭელი „მტრედი" (1959, თიხა, ტერაკოტა, ჭიქური, საქ. სსრ სურათების გალერეა).

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ნიკოლოზ დავითის ძე [8. (20). IV. 1885. სოფ. ზარანი, შორაპნის მაზრა, — 18. X. 1951, თბილისი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე საქართველოში. კომპარტიის წევრი 1903-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება 900-იან წლებში. 1905 დეკ. შეიარაღებული აჯანყების დღეებში ხარაგოულში შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური იყო. მუშაობდა ვლადიკავკაზისა და გროზნოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებში. ნ. ბუაჩიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა რსდმპ . თერგ-დაღესტნის კომიტეტს. იმავე წლის დამლეგს გაემგზავრა ჟენევაში, სადაც გაიცნო ვ. ი. ლენინი, რ-თანაც შემდგომში „სტეპკოს" ფსევდონიმით ჰქონდა მიმოწერა. რუსულად თარგმნიდა და უგზავნიდა ქართ. პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებს და სხვ. ლენინის დავალებით კ. თანამშრომლობდა შვეიცარიის მემარცხენე სოციალ. გაზეთებში. 1918 საქართველოში დაბრუნდა და განაგრძო არალეგალური მუშაობა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში; თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გაზეთებში „ვოლნასა" და „კომუნისტში", მონაწილეობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო გაზ. „კომუნისტის" რედაქტორი. „სახელგამის" დირექტორი, სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართვ. ფილიალის დირექტორის მოადგილე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. ზ. *გეგეშიძე.*

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ რამაზ გრიგოლის ძე (19. II 1937, თბილისი, — 7. I. 1975, იქვე), ქართველი საბჭ. არქიტექტორი. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1961). ნამუშევრები: თბილისში — ქორწინების სახლი (1964, შ. ყავლაშვილთან ერთად, მოქანდაკე ი. და გ. ოჩიაურები), მეტროპოლიტენის სადგურ „ოქტომბრის" ზედა პავილიონი და ქვედა ბაქანი (1966, არქიტ. თ. თევზაძესთან ერთად), რესტორანი „მარაბდა" (1971, არქიტ. თ. მიქაშავიძესა და ვ.. ქურთიშვილთან ერთად), ლენინური კომკავშირის სახ. საწყლოსნო სპორტ. კომპლექსი (1978, არქიტ. გ. აბულაძესა და შ. ყავლაშვილთან ერთად), 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალი (1976, შ. ყავლაშვილთან ერთად, მოქანდაკე ლ. ქველაძე) და სხვ. კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1975). *თ. ბოჭორიშვილი.*

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ფილადელფოს იოანეს ძე (დაახლ. 1794 — 5. IX. 1833), ქართველ თავად-აზნაურთა 1832 შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. 7 წლისა მამამ ნათლისმცემლის მონასტერში მიაბარა სასწავლებლად. სწავლის პერიოდში მშობლები გარდაეცვალა. 1826 ივლისში ნიჟნი-ნოვგოროდს გაემგზავრა. 1928 საქართველოში დაბრუნდა და ფერისცვალების მონასტერს შეეხიზნა. შემდეგ თავისივე თხზულით შუამთის მონასტერში გადაიყვანეს, სადაც იყო 1832-მდე, დაპატიმრებამდე. კ-მ შეადგინა შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება „*აკტი გონიური*". ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობას, წერდა ლექსებს საქართველოს მდგომარეობასა და სამშობლოს სიყვარულზე. მისი თხზულებები მიზნად ისახავდა აგრეთვე მოსახლეობაში საბრძოლო სულისკვეთების გაღვივებას.

ლიტ.: გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1—2. თბ., 1935—70.

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ შოთა ალექსანდრეს ძე (დ. 27. IV. 1920, სოფ. საღანძილი), ქართველი საბჭ. მომღერალი (ბარიტონი). საქ. სსრ სახ. არტისტი (1967). სკკპ წევრი 1945-იდან. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი (1942) და თბილ. კონსერვ. ვოკალური ფაკ-ტი (1951, პროფ. ს. ინაშვილის კლასი). 1949 მსოფლიოს სტუდენტთა და ახალგაზრდობის ფესტივალის ლაურეატი (I პრემია). 1951-იდან თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. პარტიები: კიაზო, მურმანი (ზ. ფალიაშვილის „დაისი", „აბესალომ და ეთერი"), ჩალხი (ო. თაქთაქიშვილის „მინდია"), რობერტი, ონეგინი (ჩაიკოვსკის „იოლანტა", „ეიგენი ონეგინი"), ჟერმონი, გრაფი დი ლუნა (ვერდის „ტრავიატა", „ტრუბადური"), ფიგარო (როსინის „სევილიელი დალაქი"), დონ-ჟუანი (მოცარტის „დონ-ჟუანი"), ვალენტინი (გუნოს „ფაუსტი"), სილვიო (ლეონკავალოს „ჯამბაზები"). მონაწილეობდა ქ. საარბრიუკენში ზ. ფალიაშვილის „დაისისა" (1973, კიაზოს პარტია) და ჩაიკოვსკის „პიკის ქალის" (1974, ელეიცკის პარტია) წარმოდგენებში.

ლ. საყვარელიძე.

ᲙᲘᲙᲜᲣᲛᲘ, ანტიკური ქალაქი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. რიონის ჩრდილოეთით, ისტ. ქალაქებს *ფასისსა* და *დიოსკურიას* შორის. დააარსეს ბერძენმა ვაჭრებმა. მოხსენიებულია რომაელი ავტორის პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) „ქვეყნის აღწერილობაში". პლინიუს უფროსი (ახ. წ. I ს.) ასახელებს კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კ-ის მსგავსი სახელწოდების ორ ქალაქს, ერთს — ქ. ფასისის მახლობლად, მეორეს — ქ. *სებასტოპოლისთან*. ზოგი მკვლევარი კ-ს *გიენოსთან* აიგივეებს.

ლიტ.: И н а д з е М. П., Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968. *მ. ინაძე.*

ᲙᲘᲙᲝᲘᲜᲘ ისააკ კონსტანტინეს ძე [დ. 15 (28). III. 1908, მცირე ჟაგორი], საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1951). ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ (1930) მუშაობდა ლენინგრ. ფიზიკა-ტექ. ინ-ტში, 1936-იდან — ლითონთა ფიზ. ინ-ტში (სვერდლოვსკი), 1943-იდან — ატომური ენერგიის ინ-ტში. 1944-იდან მოსკ. საინჟინრო-ფიზ. ინ-ტის, ხოლო 1955-იდან მოსკ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი. ფიზ. სასკოლო პროგრამების კომისიის თავ-რე (1965-იდან) და საშ. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ფიზ. სახელმძღვანელოთა ავტორი. მისი ძირითადი შრომები ეხება ატომურ ფიზიკასა და ტექნიკას და მყარი სხეულის ფიზიკას. ლენინური პრემიისა (1959) და სსრკ სახელმწ. პრემიების (1942, 1949, 1951, 1953, 1967, 1980) ლაურეატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ლიტ.: А л е к с а н д р о в А. П. [и др.], Исаак Константинович Кикоин (к 60-летию со дня рождения), «Успехи физических наук», 1968, т. 94, в. 3.

ᲙᲘᲙᲣᲘᲣ, ა გ ი კ უ ი უ, გ ი კ უ ი უ, კენიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ხალხი. რაოდ. 2,2 მლნ. კაცი (1969, აღწერა). ენა — კიკუიუ- გადმოცემით, დაახლ. XVI ს-ში მოსულან აღმ-იდან (მდ. ტანის ჩრდ.-აღმ.), რელიგია — ქრისტიანობა და ძვ. ტრად. რწმენები. ძირითადი საქმიანობა — მიწათმოქმედება (საექსპორტო კულტურა — ყავა). ყალიბდება მუშათა კლასი, ეროვნ. ბურჟუაზია და ინტელიგენცია.

ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ გერმანე ვლადიმერის ძე (17. VIII. 1913, ფოთი, — 8. X. 1969, სოფ. განთიადი, გაგრის რ-ნი), საბჭ. კავშირის გმირი (26. VI. 1945), მაიორი. სკკპ წევრი 1937-იდან. 1933—34 მუშაობდა საქ. ალკკ სამტრედიის რაიკომში. ოდესის სამხ. საფრენოსნო სკოლის დამთავრების (1937) შემდეგ გაიგზავნა მფრინავად მოსკოვში. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩაება ბრძოლებში. 1942 აპრ. დაინიშნა ესკადრილიის მეთაურად. იბრძოდა ვორონეჟის ფრონტზე. შემდეგ მონაწილეობდა უკრ. და კიევის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. აქვს 160 საბრძოლო გაფრენა, პირადად მოსპო 30 საველე და საზენიტო არტილერიის ქვემეხი, 5 ნაღმსატყორცნი, 5 ვაგონი, 73 ავტომანქანა, რისთვისაც მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დაჯილდოებულია ლენინის, ორი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის და სამამულო ომის II ხარისხის ორდენებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ ნაზი გიორგის ასული (დ. 20. X. 1927, სოფ. აბისი, ქარელის რ-ნი), ქართველი საბჭ. პოეტი. სკკპ წევრი 1967-იდან. დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1954). 1960-იდან ჟურნ. „საქართველოს ქალის" რედაქციის ლიტ-რისა და ხელოვნების განყ-ბის გამგეა. პირველი ლექსები 1952 გამოაქვეყნა ალმანახ „პირველ სხივსა" და გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში", პირველი წიგნი „ლექსები" — 1954. კ-ს პოეტური კრებულებია „ჩემი თაობის ფრთეები" (1959), „ლექსები" (1960, 1968, 1979), „ოქროს ფრინველი" (1975), საბავშვო წიგნი „ზოტორა" (1955) და სხვ. მისი ლექსები თარგმნილია რუს. ენაზე.

ᲙᲘᲚᲐᲣᲔᲐ (Kilauea), მოქმედი ვულკანი კ. ჰავაიზე, წყნარ ოკეანეში. სიმაღლე 1222 *მ*. კ-ის დამრეცი ფარისებრი კონუსი ბოლოვდება 4 *კმ* სიგრძის, 3,2 *კმ* სიგანისა და 120 *მ* სიღრმის კალდერით, რ-შიც მდებარეობს ლავური ტბა ჰალემაუმაუ. უკანასკნელი მნიშვნელოვანი ამოფრქვევები მოხდა 1952, 1954, 1955.

კილაძე გრიგოლ ბართლომეს ძე (25. X. 1902, ქ. ბათუმი, — 3. VI. 1962, თბილისი), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი და დირიჟორი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941), 1927—29 სწავლობდა ლენინგრ. კონსერვატორიაში. 1931 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (პროფ. ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი). „ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი (1922). 1931-იდან თბილ. კონსერვ. პედაგოგი (1941-იდან — პროფესორი). სხვადასხვა დროს იყო თბილ. კონსერვ. და ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, თბილ. ფილარმონიის სიმფ. ორკესტრისა და თბილ. კონსერვ. საოპერო სტუდიის მთავარი დირიჟორი. 1937—38 საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავრე. ნაწარმოებები: ოპერები — „ბახტრიონი" (1936), „ლადო კეცხოველი" (1940, დაიდგა 1941), ბალეტი „სინათლე" (1946, დაიდგა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში, 1947, სსრკ სახ. პრემია, 1948), 2 სიმფონია (1944, 1955), 2 სიუიტა (მ. შ. „ქართული სიუიტა" 1925, 1928). სიმფ. პოემა „განდეგილი" (1937, სსრკ სახ. პრემია, 1941), მუსიკა კინოფილმებისათვის („არსენა", „ფრთოსანი მლებავი" და სხვ.).

კილაძე ლილე გრიგოლის ძე (13. IV. 1928, თბილისი, — 15. X. 1978, იქვე), ქართველი საბჭ. დირიჟორი. საქ. სსრ სახალხო არტისტი (1977). სწავლობდა მოსკ. კონსერვატორიაში ჩელოსა (1945—50) და სადირიჟორო (1950—55, ხელმძღვ. ა. გაუკი) კლასებში. 1954—57 მუშაობდა ქ. სარატოვის ოპერისა და ფილარმონიის სიმფ. ორკესტრის დირიჟორად. 1959-იდან საქართვ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სიმფ. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი იყო. 1960-იდან ამ ორკესტრთან ერთად სისტემატურად მართავდა კონცერტებს. პროპაგანდას უწევდა ქართ. მუსიკას. ჰ. იყო ქართვ. კომპოზიტორების: შ. მშველიძის, რ. გაბიჩვაძის, ს. ნასიძის, ს. ცინცაძის, ო. თაქთაქიშვილის და სხვ. ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი. მისი დირიჟორობით საქართველოში პირველად შესრულდა ჰაიდნის ორატორია „წელიწადის დრონი", ბრუკნერის მე-6 სიმფონია, ჰინდემითის სიმფონია „მხატვარი მატისი" და სხვ. ზ. ფალიაშვილის სახ. პრემია (1979, გარდაცვალების შემდეგ).

კილაძე ნორა ფილიპეს ასული (დ. 17. XII. 1929, სოფ. მამათი, ლანჩხუთის რ-ნი), სოციალისტური შრომის გმირი, სოფ. მამათის კოლ-ბის მეჩაიე. გმირობა მიენიჭა 1952 ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის. სკკპ წევრი 1952-იდან. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

კილენზი (Killens) ჯონ ოლივერ (დ. 1916, მეიკონი, ჯორჯიას შტ.), ამერიკელი ზანგი მწერალი. დაიბადა მუშის ოჯახში. სწავლობდა უნ-ტში; მონაწილეობდა პროფ. კავშირების მოძრაობაში. II მსოფლიო ომის დროს, 1939—45, იყო ამერ. არმიის ჯარისკაცი. 50-იანი წწ. ბოლოს თაოსნობდა ჰარლემის (ნიუ-იორკი) მწერალთა გილდიას. ზანგთა უფლებებისათვის აქტ. მებრძოლია. სახელი გაითქვა რომანებით „იანგბლადი" („ახალგაზრდა სისხლი", 1954), რ-შიც აღწერს 20—30-იანი წწ. ზანგთა ცხოვრებას, და „მაშინ გავიგეთ ქუხილი" (1963), რ-ის გმირია II მსოფლიო ომის მონაწილე ზანგი ინტელიგენტი. ორივე წიგნში ზანგთა ყოფის პოეტიზაციასთან ერთად თვალსაჩინოა მძაფრი ნატურალისტური ეპიზოდები. მათში მკვეთრადაა გამოხატული ფოლკლორული მოტივები. ჰ-ს ეკუთვნის აგრეთვე წერილების კრებ. „შავი კაცის ტვირთი" (1965).

კილეჭტორი (ჰოლანდ. kiellichter), გემი, რ-იც აღჭურვილია ე. წ. მკვდარი ლუზების, ბონებისა და სხვათა დასაყენებელი, აგრეთვე წყლიდან სიმძიმეების ამოსაღები და სხვა სახის სამუშაოების შესასრულებელი ტვირთამწევი მოწყობილობებით. ჰ-ის ცხვირზე დადგმულია გამოშვერილი ბლოკებიანი კრონშტეინი (რ-იც ჰოლისპასტს ქმნის) და ჯალამბარი ან შპილი.

კილვატერი (ჰოლ. kielwater), გემების მწყობრი ერიმანეთის მიმდევრობით ცურვის დროს.

კილი (ჰოლანდ. kiel), 1. გემის ჰ. — გრძივი, ჩვეულებრივ შედგენილი კოჭი, რ-იც გემის ძროზეა გადებული ცხვირიდან კიჩომდე. ჰ. მთავარი გრძივი საპმუთია, რ-იც უზრუნველყოფს ძროს სიმტკიცესა და სიხისტეს, აგრეთვე გემის კორპუსის საერთო სიმტკიცეს. 2. საფრენი აპარატის ჰ. — თვითმფრინავის კუდის ფრთასმულობის ნაწილი, რ-იც ვერტ. ან დახრილ სიბრტყეშია მოთავსებული და ფრენის კურსის მდგრადობას უზრუნველყოფს.

კილი (Kiel), ქალაქი და ნავსადგური გფრ-ში, შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარეში. მდებარეობს კიელის აბრის შესასვლელთან ბალტიის ზღვის მხრიდან, კიელეო-ფერდეს ყურის ორივე მხარეს. 262 ათ. მცხ. (1976). მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. სამხ.-საზღვ. ბაზა. განვითარებულია გემთმშენებლობა, ელექტროტექნიკა, ზუსტი მექანიკა და ოპტიკა, კვების მრეწველობა. უნ-ტი, რამდენიმე სამეცნ. ცენტრი (მ. შ. მსოფლიო მეურნ. ინ-ტი).

ჰ. ცნობილია XIII ს-იდან. 1242 მიიღო საქალაქო უფლება. 1284-იდან შედიოდა გერმ. ქალაქების კავშირში (მოგვიანებით ჰანზა). 1918 ნოემბ. დასაწყისში აქ დაიწყო მეზღვაურთა აჯანყება (იხ. *კილის აჯანყება 1918*).

კილია, ქალაქი უკრ. სსრ ოდესის ოლქში, კილიის რ-ნის ცენტრი, რკინიგზის სადგ. ძინილორიდან 29 *კმ*. ნავსადგური მდ. დუნაის კილიის ტოტზე, შავი ზღვიდან 27 *კმ*. ჰ. ერთ-ერთი სანაოსნო და თევზსაჭერი ცენტრია დუნაიზე. გემთსარემონტო, ასფალტის, ეთერზეთოვანი, აგურის ქ-ნები. კვების მრეწვ. საწარმოები. ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კილიის ტოტი, მდინარე დუნაის დელტის ყველაზე წყალუხვი ჩრდ. ტოტი. სიგრძე 116 *კმ*, სიგანე 0,6-იდან 1,2 *კმ*-მდე. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში. ჰ. ტ-ზეა ნავსადგურები: იზმაილი, კილია, ვილკოვო (სსრკ). იზმაილამდე შედიან საზღვაო გემები.

კილიკი (ბერძნ. kylix), ძვ. ბერძნული ქუსლიანი საღვინე თასი, რ-საც ჰორიზონტალურად მიმაგრებული 2 ყური აქვს. ამზადებდნენ თიხის ან ლითონისაგან. თიხის ჰ-ები ხშირად მოხატული იყო, ცნობილია ძვ. წ. VI ს. კორინთული, ძვ. წ. VI—IV სს. ატიკური შავფიგურიანი და წითელფიგურიანი, აგრეთვე შავლაკიანი ჰ-ები. ზოგი მათგანი ცნობილი ბერძენი მხატვარ-კერამიკოსების მოხატულია და ხელოვნ. შედევრს წარმოადგენს.

კილიკი ვულჩიდან. ბრიგის ნამუშევარი. დაახლ. ძვ. წ. 490. ანტიკური მცირე ხელოვნების მუზეუმი. მიუნხენი.

ძვ. ბერძნ. ჰ-ები (მ. შ. მოხატული) დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ საქართველოშიც — აღმოჩნდა ვანში, ითხვისში, დაბლაგომში, ფიჭვნარში და სხვ. ძვ. წ. V—IV სს. ვერცხლის ჰ-ები გვხვდება ვანის მდიდრულ სამარხებში.

ლიტ.: Блаватский В. Д., История античной расписной керамики, [М.], 1953.

ი. გაგოშიძე.

კილიკია (ბერძნ. Kilikia), ქვეყანა მცირე აზიის სამხრ.-აღმოსავლეთში ძვ. წ. I ათასწლეულში. ძვ. წ. II ათასწლეულში აქ ცხოვრობდნენ ლუვიელები, ხეთები და ხურიტები. ძვ. წ. I ათასწლეულიდან ჰ-ის მოსახლ. ძირითადად სემიტური (არამეული) და ინდოევრ. (გვიანდ. ხეთური) იყო. ზოგი მკვლევარი ჰ-ის სახელწოდებას და ადგილმდებარეობას უკავშირებს ასურული წყაროების „ხილაქუს". ანტ. ხანაში ჰ. იყოფოდა 2 ნაწილად: „მკაცრ ჰ-დ" („კილიკია ტრაქეა") და „ვაკე ჰ-დ" („კილიკია პედიადა"). ძვ. წ. I ათასწლ. შუა ხანიდან ჰ. შედიოდა აქემენიდების სახელმწიფოში. ძვ. წ. 333 დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, ძვ. წ. 297 დაეუფლნენ სელევკიდები, ხოლო ძვ. წ. 103 — რომი. შუა საუკუნეებში ჰ-თვის იბრძოდნენ ბიზანტია, არაბები, თურქები. ჰ-ში აღმოჩენილია მრავალი მნიშვნელოვანი არქეოლ. თუ ეპიგრაფიკული ძეგლი, მ. შ. ყარათეფეს ბილინგვა (ფინიკიურ და ხეთურ იეროგლიფურ ენებზე), რ-მაც დიდი როლი ითამაშა ხეთური იეროგლიფური დამწერლობის საბოლოოდ გაშიფვრაში.

ლიტ.: ხაზარაძე ნ., თანამედროვე ქვეყნის ადგილმდებარეობა-სათვის, კრ.: ძველი ისტორიის საკითხები (კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, 3), თბ., 1970; Ранович А. Б., Восточные провинции Римской империи в I—III вв., М.—Л., 1949.

გ. გიორგაძე.

კილიკიის კარი, ქულექ-ბოღაზი (თურქ. Külek Boğazi), კლდეკარი ტავრის მთებში, ბოლკარისა და ალადაღლარის ქედებს შორის, თურქეთის სამხრ-ით. ანატოლიის ზეგანს აკავშირებს ჩუკუროვის ზღვისპირა დაბლობთან. შექმნილია მდ. ჩაკიტის გამჭოლი კანიონით, რ-შიც გადის რკინიგზა.

კილიკიის სამინიატიურო სკოლა, სომხური მინიატიურის ერთ-ერთი სკოლა (XII—XIV სს. II ნახ.), რ-იც ჩამოყალიბდა კილიკიის სომხეთის სახელმწიფოში. ჰ. ს. ს-ის სტილი შეიქმნა ძირითადად სომხ. მინიატიურის ტრადიციების, აგრეთვე იმდროინდელი ბიზანტ. და დას. ევრ. ფერწერის გავლენის საფუძველზე. ჰ. ს. ს-ის მთავარი ცენტრები რომკლის, გრნერისა და დრაზარკის მონასტრებში იყო. ხელნაწერების გაფორმების მთავარი ელემენტებია: კამარების მორთულობა, თავსართები, აგრეთვე სიუჟეტური ილუსტრაციები. ჰ. ს. ს-ის აყვავების პერიოდის (XIII ს. II ნახ.) თვალსაჩინო წარმომადგენელია თოროს როსლინი. XIV ს-იდან ჰ. ს. ს-ში თავი იჩინა დაკნინის ნიშნებმა.

კილიკიის სომხეთის სახელმწიფო, ფეოდალური სამთავრო, შემდეგ კი სამეფო, რ-იც *კილიკიაში* არსებობდა 1080-იდან 1375-მდე. აღმოცენდა XI ს. დასაწყისში, ბიზანტიის მიერ ვასპურაკანის, ანისისა და კარის (ყარსი) დაპყრობის შედეგად, რასაც მოჰყვა დაპყრობილი ტერიტორიიდან სომხების მასობრივი აყრა და გადასახლება იმპერიის დას. ნაწილში. სელჩუკების შემოსევების შემდეგ (XI ს. II ნახ.) ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. კილიკიაში სომხ. მოსახლეობამ რაოდენობით თანდათანობით გადააჭარბა ადგილობრივს.

1080 ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყდა სომეხი ფეოდალი რუბენი, რ-მაც მთიანი კილიკია დამოუკიდებელ სამთავროდ გამოაცხადა. შემდეგ რუბენის მემკვიდრეები ბარის კილიკიასაც დაეუფლნენ. სამთავრო განსაკუთრებით გაძლიერდა ლეონ II-ის დროს (1187—1219). 1198 კილიკიის სომხ. სამთავრო სამეფოდ გამოცხადდა, ხოლო მისი მთავარი ლეონ II მეფედ ეკურთხა ქ. ტარსოსში. სამეფო ეკონომიკურად დაწინაურდა — განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა და ვაჭრობა.

XIII ს. I ნახევარში მონღოლების შემოსევების თავიდან ასაცილებლად ჰ. ს. ს-ს მმართველებმა დამპყრობლების ვასალობა აღიარეს, რამაც გაამწვავა ეგვ. სულთან-

ი. კიკოინი.

გ. კილასონია.

გ. კილაძე.

ლ. კილაძე.

თან დამოკიდებულება. 1321—60-იან წლებში მამლუქები რამდენჯერმე შეიჭრნენ კილიკიაში და ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცეს. 1375 კილიკიის უკანასკნელი მეფე ლეონ VI დაატყვევეს და კაიროში გაგზავნეს. კ. ს. ს-მ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: История армянского народа, ч. 1, Ер., 1951; Микаелян Г. Г., История Киликийского армянского государства, Ер., 1952. *გ. მაისურაძე.*

კილიმანჯარო (ინგლ. Kilimanjaro; სუაჰილი ენაზე — სიცივის ღვთაების მთა, სხვა ვერსიით — მბრწყინავი მთა), ვულკანური მასივი აღმ. აფრიკაში, ტანზანიაში. სიმაღლე 5895 *მ* (აფრ. უმაღლესი მწვერვალი). უმთავრესად აგებულია ტრაქიბაზალტებითა და ფონოლითებით. სამხრ. და სამხრ.-დას. ნოტიო კალთებზე (დაახლ. 3100 *მ* სიმაღლეზე) მოდის 1000—3000 *მმ* ნალექი წელიწადში. 1000 *მ* სიმაღლემდე სავანაა, 1800 *მ*-მდე — ყავისა და ბანანის პლანტაციები, 3100 *მ*-მდე — მთის ჰილეა, 4200 *მ*-მდე — ტროპ. მაღალი მთის მცენარეულობა (პარამოსი), 4800 *მ*-მდე — ქსეროფიტული მარცელოვნები, უფრო მაღლა — ლავური ღვარები, მწვერვალზე — გამყინვარება. მყინვარები კალთებზე 4300 *მ* სიმაღლემდე ეშვება.

კილის არხი, ნორდ-ოსტზეე-კანალი (Kieler Kanal; Nord-Ostsee-Kanal), საზღვაო-სანაოსნო არხი, აკავშირებს ბალტიისა და ჩრდ. ზღვებს. გადის გფრ-ის ტერიტორიაზე კილის უბიდან ელბის ესტუარიმდე. ააგეს 1887—95. სიგრძე 98,7 *კმ*, სიგანე 104 *მ*, სიღრმე ფარვატერზე 11,3 *მ*. არხზე არის რაბები. გადაზიდვაში ჭარბობს საცალო ტვირთი, ნავთობი, ნავთობპროდუქტები, შავი ლითონები, მადანი, ქვანახშირი, ხე-ტყე.

1919 ვერსალის ზავით კ. ა. და მისი მისადგომები ღიად გამოცხადდა იმ სახელმწიფოს გემებისათვის, რ-ებიც ომის მდგომარეობაში არ იყვნენ გერმანიასთან.

კილის აჯანყება 1918, გერმანიის ფლოტის მეზღვაურთა აჯანყება ქ. კილში 1918 ნოემბ. დამდეგს. აჯანყების საბაბი გახდა გერმ. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანება ინგლ. ფლოტთან საბრძოლველად გერმ. სამხ. გემების ღია ზღვაში გასვლის შესახებ. მეზღვაურებმა უარი განაცხადეს ზღვაში გასვლაზე. დაიწყო რეპრესიები, მასობრივი დაპატიმრება. აჯანყების ჩახშობა შეუძლებელი აღმოჩნდა, პირიქით, აჯანყება სხვა ქალაქებსაც მოედო. კ. ა-ით დაიწყო *ნოემბრის რევოლუცია გერმანიაში 1918.*

კილის უბე (Kieler Bucht), განიერი ღია უბე ბალტიის ზღვის სამხრ.-დას. ნაწილში, იუტლანდიის ნ.-კ-თან. სიღრმე 10—20 *მ*. ზღვის დონე ძალზე მერყეობა (3,2 *მ*-მდე). კილის არხით დაკავშირებულია ჩრდილოეთის ზღვასთან. კ. უ-ის ნაპირზეა ნავსადგური კილი (გფრ).

კილიტა, სხვადასხვა ლითონისა და ლითონთა შენადნობის თხელი (2—100 *მკმ*) ფურცლები ან ლენტები. კ. სხვადასხვა დანიშნულებისაა. მაგ., ალუმინის სასურსათო კ-ს იყენებენ საკონდიტრო და თამბაქოს ნაწარმის, ჩაის და სხვათა შესაფუთავად. ალუმინის ტექნიკურ კ-ს — კონდენსატორებისათვის ელექტროტექ. მრეწველობაში, თერმო- და ჰიდროიზოლაციისათვის და სხვ.; კალისა და კალა-ტყვიის კალით მიტკეცილ კ-ს — ელექტროტექ. მრეწველობისათვის, ხელსაწყოთმშენებლობისათვის და სხვ.; ტყვიისას — თამბაქოს ნაწარმის შესაფუთავად; ნეიზელბერისას — ხელსაწყოთა დეტალებისათვის (მემბრანა და სხვ.); სპილენძის კ-ს — დინამომანქანების მუსების, გამომყვანი კონტაქტების, ნაბეჭდი სქემებისათვის და მისთ. ამზადებენ აგრეთვე კაშირებულ კ-ს (ქაღალდის ლენტზე მიტკეცილი); იყენებენ კაბელის მრეწველობაში.

პოლიგრაფიაში წიგნის ყდაზე ტვიფრვისას ხმარობენ კალკის ან ცელოფანის ლენტების სახით დამზადებულ კ-ს, რ-იც ცალი მხრიდან შემკვრელთან შერეული ამა თუ იმ პიგმენტის ფენითაა დაფარული. ამავე მიზნისათვის ამზადებენ ბრინჯაოსა და ალუმინის კ-ს.

კილო, იხ. *დიალექტი.*

კილო, ბგერათა ურთიერთკავშირის სისტემა ბგერათერიგში. კ-ს საფეხურთა თანამიმდევრობა ქმნის გამას. კ-ს არსებობის აუცილებელი პირობაა მისი საფეხურების ხარისხობრივი განსხვავებულობა, თითოეულ საფეხურს აქვს განსაკუთრებული კილოსთვის დამახასიათებელი ფუნქცია, რ-იც გაპირობებულია არამდგრადი ბგერების მიზიდულობით მდგრადი (საყრდენი) ბგერებისაკენ. ძირითად საფუძველს წარმოადგენს ტონიკა, რ-იც განსაზღვრავს კ-ს ტონალობას. ხალხური მუსიკა (განსაკუთრებით ერთხმიანი) ემყარება ბგერათა სეკუნდობრივ ურთიერთკავშირს, თუმცა მასში გარკვეულ როლს დიატონური საფუძვლის წარმომქმნელი კვინტა-კვარტული ურთიერთკავშირიც თამაშობს (იხ. *დიატონიკა*). სხვადასხვა ხალხ. მუს. კ-ს ეროვნულ თავისებურებებთან ერთად ზოგადი თვისებებიც აქვს.

კილო, ზმნის გრამატიკული კატეგორია, რ-იც გამოხატავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი. სხვადასხვა ენაში კ-ს რაოდენობა სხვადასხვაა; ძირითადად გამოიყოფა სამი კ.: თხრობითი (მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც ნამდვილ ფაქტს, რ-იც ხდება ამჟამად, მოხდა წარსულში ან მოხდება მომავალში: ვაშენებ, ვაშენებდი, ავაშენე, ამიშენებია, ავაშენებ); კავშირებითი (ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც სასურველს ან რაიმე პირობაზე დამოკიდებულს: ვაშენებდე, ავაშენო); ბრძანებითი (მოქმედებას წარმოგვიდგენს როგორც სავალდებულოდ შესასრულებელს: ააშენე!). ქართ. ზმნის სისტემაში თხრობითი კ. ყველაზე მდიდარია ფორმებით.

კილო... (ფრანგ. kilo... < ბერძნ. chilioi — ათასი), თავსართი იმ ჯერადი ერთეულების სახელწოდებათა შესაქმნელად, რ-ებიც ოდენობით შეესაბამება 1000 ამოსავალ ერთეულს. შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ. *კ*, საერთაშ. — k. თავსართი იწერება ამოსავალი ერთეულის სახელწოდებასთან ერთად, მაგ., 1 *კმ* (კილომეტრი)=1000 *მ*; მიიღეს საზომთა მეტრული სისტემის დადგენისას.

კილოგრამი, მასის ერთეული, *ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* (SI) ერთერთი ძირითადი ერთეული; უდრის საერთაშ. პროტოტიპის მასას, რ-იც ინახება ზომა-წონათა საერთაშ. ბიუროში (შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ. *კგ*, საერთაშ. kg).

საზომთა მეტრული სისტემის შექმნისას, XVIII ს-ში, კ-ს განსაზღვრავდნენ როგორც 1 *დმ*³ გამოხდილი წყლის მასას უდიდესი სიმკვრივის ტემპ-რაზე (4°C), ხოლო კ-ის პროტოტიპი დაამზადეს პლატინისაგან საწონის სახით (1799). კ-ის პროტოტიპის მასა ~0,028 *გ* მეტი აღმოჩნდა 1*დმ*³ წყლის მასაზე. 1889 მიიღეს კ-ის არსებული განსაზღვრა და კ-ის საერთაშ. პროტოტიპად დაამტკიცეს პლატინა-ირიდიუმის შენადნობისაგან (10%Ir) დამზადებული *R* -ნიშნიანი (ვოტიკური მთავარული „კ") საწონი, რ-საც 39 *მმ* სიმაღლისა და დიამეტრის მქონე ცილინდრის ფორმა აქვს. პროტოტიპიდან დამზადებული 40 კოპიოდან ორი (№12 და №26) გადაეცა რუსეთს. № 12 ეტალონი სსრკ-ში მიღებულია მასის ერთეულის სახელმწ. პირველად ეტალონად, ხოლო № 26 — ეტალონ-კოპიოდ.

კ-ის ჯერადი და წილობითი ერთეულების დასახელების მისაღებად „გრამს" უმატებენ თავსართებს: მეგაგრამი (*მეგგ* Mg), მილიგრამი (*მგ*, mg) და სხვ.

კილოგრამ-ძალა, ძალის ერთეული ერთეულთა MKGS სისტემაში; ძალა, რ-იც *კილოგრამის* საერთაშ. პროტოტიპის მასის ტოლ მასას ანიჭებს 9,80665 *მ/წმ*² აჩქარებას (თავისუფალი ვარდნის ნორმალური აჩქარება, რ-იც მიიღო ზომა-წონათა გენ. კონფერენციამ 1901). შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ.—*კგძ*, საერთაშ.—kgf ან kG· 1*კგძ* = 9,80665 *ნ*. ევრ. მრავალ ქვეყანაში კ.-ძ-თვის ოფიციალურად არის მიღებული სახელწ. კლოპონდი (აღინიშნება kp).

კილოგრამ-ძალა-მეტრი (ზოგჯერ არასწორად უწოდებენ კილოგრამომეტრს), ენერგიისა და მუშაობის ერთეული ერთეულთა MKGS სისტემაში. შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ.—*კგძ·მ*, საერთაშ.—kgf · m ან kG · m. კ.-ძ.-მ. არის მუშაობა, რ-საც ასრულებს 1 *კგძ* მისი მოდების წერტილის 1 *მ* მანძილზე გადაადგილებისას მისივე მიმართულების გასწვრივ. 1 *კგძ·მ*=9,80665 *ჯ*.

კილოვატ-საათი, იხ. სტ. *ვატ-საათი.*

კილოკავი, საერთო-სახალხო ენის ტერიტორიული სახესხვაობა; *დიალექტზე* (კილოზე) მცირე ერთეული. გავრცელებულია შედარებით მცირე ტერიტორიაზე. კ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფონეტ.-გრამატ. და ლექსიკურ-სტილისტიკური ნიშნებითა და გამოთქმის თავისებურებებით. ქართ. ენის კილოებში გამოიყოფა კ-ები, მაგ., კახური კილოს გარეკახური და შიგნითკახური კ-ები, იმერული კილოს ზემოიმერული და ქვემოიმერული კ-ები და ა. შ.

კილომეტრი, *მეტრის* ჯერადი ერთეული, უდრის 1000 *მ*; ქართ. აღნიშვნაა *კმ*, საერთაშ.—km. 1 *კმ*=0,93738 რუს. ვერსს = = 0,62137 ინგლ. საწესდებო მილს = = 0,53996 საზღვაო მილს.

კილონი (Kylōn) (ძვ. წ. VII ს.), ათენელი ევპატრიდი. დაახლ. 640 შეთქმულება მოაწყო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად („კილონის ამბოხი"). დამარცხებული კ. და მისი ძმა გაიქცნენ.

კიმბერლი (Kimberley), ქალაქი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში, კაპის პროვ. ჩრდ. ნაწილში. 104 ათ. მცხ. (1970), უმეტესად აფრიკელები და მულატები. სარკინიგზო კვანძი. დაარსდა 1871 ალმასის აღმოჩენასა და დამუშავებასთან დაკავშირებით. ალმასის მოპოვებისა და დამუშავების დიდი ცენტრი. ლითონდამუშავება, ცემენტის, ავეჯის, სამკერვალო საწარმოები, აგურის ქ-ნები. კ-ს მახლობლად ამუშავებენ მანგანუმის მადანს, აზბესტს, თაბაშირს. ტექ. კოლეჯი. აეროპორტი.

კიმბერლიტი [სახელი ეწოდა ქ. კიმბერლის (სამხრ. აფრიკა) მიხედვით], ბრექჩიის მსგავსი, ეფუზიური იერის ულტრაფუძე მაგმური პიპაბისალური ქანი, რ-იც ავსებს აფეთქების ყელს. კ-ის ძირითადი მასა აგებულია ოლივინით, პიროქსენით, ფლოგოპიტით, პეროვსკიტით, მაგნეტიტით, პიროპ-ალმანდინის რიგის გრანატით, პიკროილმენიტით და გასერპენტინებული, გაკარბონატებული და გაქლორიტებული მინით. ზოგჯერ გვხვდება აგრეთვე *ალმასი*, მონტიჩელიტი და აპატიტი. კ. ალმასის მოპოვების ძირითადი წყაროა. აფეთქების ყელის გარდა კ. გვხვდება დაიკების, ძარღვებისა და სილების ფორმით. კ. როგორც წესი, დაკავშირებულია ძვ. ბაქნებთან; ძალზე იშვიათია გეოსინკლინურ ზოლებში. ცნობილია 1500-ზე მეტი კ-ის სხეული, ამათგან მხოლოდ 8—10% შეიცავს ალმასს. კ. საწარმოო მნიშვნელობისაა, თუ მასში ალმასის შემცველობა 1 *მ*³-ზე 0,3—0,5 *კარ*-ზე ნაკლები არაა. კ. ფართოდაა გავრცელებული სსრკ-ში (იაკუტ. ასსრ), საზღვარგარეთ—აფრიკაში, ინდოეთსა და ჩრდ. ამერიკაში.

კიმბრები (ლათ. Cimbri), გერმანული ტომები, რ-ებიც თავდაპირველად იუტლან-

დიის ნ. კ-ის ჩრდ. ნაწილში ცხოვრობდნენ. ძვ. წ. II ს-ში ტევტონებთან და ამბრონებთან ერთად სამხრ-კენ დაიძრნენ. ძვ. წ. 113 ნორეიასთან დაამარცხეს რომაელები და გალიაში გადავიდნენ. აქაც რამდენიმე დამარცხება (109, 107, 105) აგემეს რომაელებს. ძვ. წ. 102 დაიძრნენ რომისაკენ და დაიკავეს მთელი ჩრდ. იტალია, მაგრამ რომაელმა მხედართმთავარმა გ. *მარიუსმა* ვერცელესთან (ძვ. წ. 101) სასტიკად დაამარცხა ისინი.

კიმგანსანი (კორ. კიმგან — ალმასი და სან — მთა), ა ლ მ ა ს ი ს მ თ ე ბ ი, მთები *აღმოსავლეთ კორეის მთების* ჩრდ. ნაწილში. კორ. სდრ-ში. სიგრძე დაახლ. 80 *კმ*, სიმაღლე 1638 *მ*-მდე. უმთავრესად აგებულია გრანიტებით. დანაწევრებულია კანიონებისა და მდინარეთა ვიწრო ხეობების ხშირი ქსელით. ბევრია ჩანჩქერი. მთის კალთებზე მუხნარი და შერეული ტყეებია. არის ვოლფრამის, მოლიბდენის, სპილენძის, ნიკელისა და რკინის საბადოები. ხუროთმოძღვრული ძეგლები, *კურორტები*, *ტურიზმი*.

კიმენი (ბერძნ. keimenon), ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ჟანრი, რ-იც ფართოდ გავრცელდა ქართულ ჰაგიოგრაფიაში. შეიცავს წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობების თავდაპირველ, მარტივად აღწერილ და განუმარტავ ტექსტებს. ეფრემ მცირის თქმით, კ., რ-ის ქართ. შესატყვისია „მდებარე", ე.წ. „პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა". ძვ. ქართ. სას. მწერლობაში ამავე ტერმინით აღნიშნავდნენ აგრეთვე ძირითად ბიბლიურ ტექსტს იმ კომენტარებისა და განმარტებებისაგან განსასხვავებლად, რ-ებიც არშიებზე იყო მიწერილი. ბიზანტ. იურისტები კ-ს უწოდებდნენ კანონის ძირითად ტექსტსაც. იოანე ქსიფილინოსი კ-ს *მრავალთავთან* აიგივებდა. დროთა განმავლობაში კიმენური რედაქციის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს ცვლიდნენ და ამახინჯებდნენ. განსაკუთრებით საგრძნობი შესწორება-დამატებანი შეიტანეს მწვალებლებმა. ამასთან, წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობის ლიტონი აღწერილობა ეეღარ აკმაყოფილებდა შუა საუკუნეთა ბიზანტ. მკითხველს. X ს-ში დაიწყეს ამ ძეგლების გადამუშავება (იხ. *მეტაფრასი*). საქართველოში კიმენური თხზულებები ითარგმნა X ს-ში (ტექსტები გამოსცა კ. კეკელიძემ 2 ტომად: 1918, 1946).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 5, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ვ. ბაკაშვილი.

კიმერიელები (ბერძნ. Kimmerioi), ტომები, რ-ებიც სახლობდნენ ჩრდ.-აღმ. შავიზღვისპირეთში ძვ. წ. VIII—VII სს-ში. სახელი უწოდეს ძვ. ასურელებმა. ძვ. წ. VI ს-ში ბერძენმა კოლონისტებმა ქერჩის სრუტეს უწოდეს კიმერიის ბოსფორი. ჰეროდოტესა და სხვა ისტორიკოსთა ცნობებით, კ. ცხოვრობდნენ ჩრდ. შავიზღვისპირეთში თრაკიამდე და იქიდან სკვითებმა გამოდევნეს. ძვ. წ. VII ს-ში კ-მა დაიპყრეს ფრიგია, ლიდია, კაპადოკია და ამ უკანასკნელის მოსახლეობას შეერივნენ. არქეოლოგიაში კ-ის სახელს უკავშირდება ბრინჯაოდან რკინის ხანაში გარდამავალი ეპოქის კულტურა.

კიმერიკონი (ბერძნ. Kimmerikon), ძველი ქალაქი ქერჩის ნ. კ-ის სამხრეთ სანაპიროზე. აღმოცენდა ძვ. წ. V ს-ში, აყვავებას მიაღწია ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე. III ს. შუა წლებში ქალაქი დაანგრიეს ჩრდ-იდან შემოჭრილმა ტომებმა. IV—V სს-ში ქალაქის ცხოვრება ნაწილობრივ აღდგა. ახ. წ. I ათასწლ. II ნახევარში კ-მა შეწყვიტა არსებობა. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე დაღგინდა, რომ მოსახლ. მისდევდა მიწათმოქმედებას, თევზჭერას, მეცხოველეობას, ეაჭრობას. ანტ. ხანის ფენის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი.

კიმერიული დანაოჭება, მეზოზოური ერის დანაოჭება. განარჩევენ კ. დ-ის ორ მთავარ ფაზას: ადრინდელ ანუ ძველკიმერიულს (ტრიასული პერიოდის ბოლო და იურულის დასაწყისი) და გვიანდელ ანუ ახალკიმერიულს (იურული პერიოდის ბოლო და ცარცულის დასაწყისი). პირველი გამოვლინდა ჩრდ. დობრუჯაში, ყირიმში, კავკასიონზე, ჩრდ. ავღანეთში, სამხრ.-აღმ. აზიაში და სხვ., მეორე — ვერხოიანსკ-ჩუკოტკის მხარეში (კოლიმური დანაოჭება), ჩრდ. ამერ. კორდილიერებში (ნევადური დანაოჭება), სამხრ. ამერ. ანდებში (ანდური დანაოჭება), მცირე კავკასიონზე და სხვ.

ო. ბუციშვილი.

კიმ ირ სენი (დ. 15. IV. 1912, სოფ. მანგიონდე, ფხენიანის ახლოს), კორეისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, კორ. სდრ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1931-იდან. კორეის განთავისუფლების შემდეგ (1945 აგვ.) კ. ი. ს. აირჩიეს კორ. კომპარტიის ჩრდილო კორ. ორგბიუროს პირველ მდივნად; 1946—49 ჩრდ. კორეის ერთიანი დემოკრ. ეროვნ. ფრონტის თავ-რე. 1972 დეკ-იდან, ახ. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, აირჩიეს კორ. სდრ-ის პრეზიდენტად. კ. ი. ს. არის უმაღლესი სახ. კრების ყველა მოწვევის დეპუტატი. 1949-იდან *კორეის შრომის პარტიის* თავ-რე, 1966-იდან კი მისი გენ. მდივანი. ამავე დროს იგი არის კორეის ერთიანი დემოკრ. სამამულო ფრონტის ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი. 1950-იდან კორ. სდრ-ის სამხ. კომიტეტის (1972-იდან კორ. სდრ-ის ცენტრ. სახ. კომიტეტის თავდაცვის კომიტეტი) თავ-რე და კორ. სახ. არმიის უმაღლესი მთავარსარდალი. 1953 თებ-ში მიენიჭა კორ. სდრ-ის მარშლის წოდება, იმავე წლის ივლ-ში კი კორ. სდრ-ის გმირის წოდება, 1958 აგვ-ში — კორ. სდრ-ის შრომის გმირის წოდება. 1972 აპრ-ში მიენიჭა სდრ-ის ორგზის გმირის წოდება. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით (1972).

კიმ ირ სენი.

კიმოვსკი, ქალაქი (1952-იდან) რუსეთის ტულის ოლქში. რკინიგზის სადგური ტულა—რიაზანის ხაზზე. ქვანახშირის მოპოვება (მოსკოვისპირა ქვანახშირის აუზი), საშენ მასალათა წარმოება, სამკერვალო ფ-კა, რძის ქ-ნა.

კიმოთესუბანი, იხ. *ტიმოთესუბანი*.

კიმონი (Kimōn) (დაახლ. ძვ. წ. 504 — ძვ. წ. 449), ათენელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. *მილტიადეს* ძვ. 478—477, სტრატეგოსად ყოფნის დროს, *არისტიდესთან* ერთად *დელოსის კავშირის* შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. კ. ათენის სახელმწ. წყობილების დემოკრატიზაციის მოწინააღმდეგე ოლიგარქიული დაჯგუფების ბელადი გახდა. 469 მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა სპარსელებზე მცირე აზიაში. 468 სპარსელები განდევნა თრაკიის ნ. კ. ქერსონესიდან. 461 *პერიკლეს* გავლენით 10 წლით განდევნეს ათენიდან. მაგრამ ტანაგრასთან ათენელების მარცხის (457) შემდეგ ისევ პერიკლეს რჩევით 456 ათენში დააბრუნეს. 449 კ. სათავეში ჩაუდგა საზღვ. ექსპედიციას კ. კვიპროსის წინააღმდეგ. დაიღუპა ქ. კიტიონის ალყის დროს. მისი ცხოვრება აღწერილი აქვს პლუტარქეს და კორნელიუს ნეპოტს.

კიმონო, მამაკაცისა და ქალის ტრადიციული ტანსაცმელი იაპონიაში; სწორი თარგის ხალათი, რ-იც მარჯვნივ იკვრება და წელზე ქამრით („ობი") მაგრდება. ფართო სახელოები („სოდე") ქვემოთ ტომარასავით აქვს ჩაშვებული. ქალის კ-ს მეტად განიერი ქაჯარი და იღლიებსა და ნაწიბურებში გაუკერავი გრძელი სახელოები აქვს. მასალისა და თარგის მიხედვით კ. რამდენიმე ჯგუფად იყოფა (ღამის, საშინაო, ყოველდღიური, გამოსასვლელი და სხვ.).

კიმარი, ქალაქი რუსეთ კალინინის ოლქში. ნავმისადგომი ვოლგის მარცხ. ნაპირზე. რკინიგზის სადგ. (სავიოლოვო) მდინარის მარჯვ. მხარეს. 59 ათ. მცხ. (1977). ფეხსაცმლის, ლითონდასამუშ., სამკერვალო და ტრიკოტაჟის მრეწვ. საწარმოები. მექან.-ტექნოლ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. ცნობილია XVII ს-იდან.

კიმ ჩაკი (14. VIII. 1903, ხაქსენის მაზრა, ახლანდ. კიმ-ჩაკის მაზრა, ჰამგიონ-პუქტოს პროვ., — 31. I. 1951), კორეის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. კორეის კომპარტიის წევრი 1925-იდან. 1947—48 ჩრდ. კორ. სახ. კომიტეტის თავ-რის მოადგილე და თავდაცვის დეპარტამენტის უფროსი. 1948 სექტ-იდან მინისტრების კაბინეტის თავ-რის მოადგილე და კორ. სდრ-ის მრეწვ. მინისტრი. კორეის შრომის პარტიის ცკ-ის პოლიტსაბჭოს წევრი. კორეაში ამერ. ინტერვენტების წინააღმდეგ ომის (1950—53) დროს დაინიშნა კორ. სდრ-ის სამხ. კომიტეტის წევრად (1950) და ფრონტის სარდლად. კ. ჩ-ის პატივსაცემად ქ. სინჯჯინს ეწოდა ქ. კიმ-ჩაკი.

კიმ-ჩაკი (1951-მდე ს ო ნ ჯ ი ნ ი), ქალაქი ჩრდ. კორეაში, კორ. სდრ-ში, ჰამგიონ-პუქტოს პროვინციაში. დაახლ. 100 ათ. მცხ. გაუყინარი ნავსადგური კიმ-ჩაკ-ჰანის უბის (იაპ. ზღვა) ნაპირზე. შავი მეტალ. დიდი ცენტრი. ფეროშენადნობის, ელექტროფოლადის, საშენ მასალათა წარმოება. კვების მრეწველობა. გემთსაშენი. კ.-ჩ-ის მახლობლად იღებენ მაგნეზიტსა და გრაფიტს. სახელი ეწოდა *კიმ ჩაკის* პატივსაცემად.

ქალის სადღესასწაულო კიმონო.

კინაზები (<ბერძნ. kineō — ვამოძრავებ, გადავაადგილებ), ფ ო ს ფ ო ტ რ ა ნ ს ფ ე რ ა ზ ე ბ ი, ფერმენტების ჯგუფი ტრანსფერაზების კლასისა; Mg^{2+}-ის თანაობისას გადაქცევ ფოსფატის ჯგუფები ადენოზინტრიფოსფორის მჟავიდან (ატფ) სხვადასხვა სუბსტრატზე, უმთავრესად სპირტების, ნახშირწყლებისა და ამინომჟავების ჰიდროქსილის ჯგუფებზე. კ. მრავალგვარია, ამათგან ფოსფორილაზის კ., ჰექსოკინაზა, ფოსფოფრუქტოკინაზა, პირუვატკინაზა ხელს უწყობენ გლიკოგენისა და გლუკოზის გამოყენებას უჯრედში; ნად-კინაზა, რიბოფლავინკინაზა, პირიდოქსალკინაზა მონაწილეობენ სათანადო კოფერმენტების სინთეზში, პროტეინკინაზებით ხდება ცილების ფოსფორილირება.

დ. ჯობაძე.

კინბურნის ბრძოლა, რუსეთ-ოსმალეთის ომის (1787—91) დროს ოსმალეთის ფლოტმა 1787 წ. 1 (12) ოქტ., კინბურნის ცელაზე (ახლანდ. ოჩაკოვის რ-ნი, ნიკოლაევის ოლქი) დაბომბვის შემდეგ 5-ათასიანი დესანტი გადასხა. რუს. ჯარებმა (სარდალი ა. სუვოროვი) არტილერიის ცეცხლით ოსმ. ხომალდები აიძულეს უკან დაეხიათ და გაგფთრებული ბრძოლების შემდეგ დესანტი ზღვაში ჩაყარეს. ოსმალებმა დაკარგეს 4,5 ათ. კაცი. რუსებმა — დაახლ. 450 კაცი.

კინგი (King) ერნესტ ჯოზეფ (23. XI. 1878, ლორეინი, ოჰიოს შტ., — 25. VI. 1956, პორტსმუთი, ნიუ-ჰემფშირის შტ.), აშშ-ის ფლოტის ადმირალი (1944). დამთავრა სამხ.-საზღვ. აკადემია (1901). 1936—41 იყო აშშ-ის სამხ.-საზუვ. ძალების საბაზო, სადაზვერვო და სახაზო ძალების სარდალი, საზღვ. სამინისტროს გენ. საბჭოს წევრი. საბადრაგო ძალების სარდალი; 1941 თებ.-დეკ. — ატლანტიკის ფლოტის სარდალი. 1941 დეკ-ში დაინიშნა აშშ-ის სამხ.-საზღვ. ძალების მთავარსარდლად, 1942 მარტში — საზღვ. ოპერაციების უფროსად. იყო შეიარაღებული ძალების სახეობათა შტაბების უფროსების კომიტეტისა და ინგლ.-ამერ. შტაბების უფროსების გაერთ. კომიტეტის წევრი. II მსოფლიო ომში (1939—45) წარმატებით ხელმძღვანელობდა აშშ-ის სამხ. საზღვაო ფლოტის ოპერაციების შემუშავებას. 1946-იდან თადარიგშია.

მ. ლ. კინგი.

ვ. კინგისეპი.

ე. კინი.



კინემატიკა. ნახ. 1. ათვლის სხეულთან დაკავშირებული ათვლის სისტემა (X, Y, Z ღერძებია). M წერტილის მდებარეობა განისაზღვრება $S=O_1M$ მანძილით, რომელიც აითვლება ტრაექტორიაზე აღებული O_1 წერტილიდან, r რადიუს-ვექტორია. წერტილის კინემატიკური მახასიათებლებია: v სიჩქარე და a აჩქარება.

კინგი (King) მარტინ ლუთერ (15. I. 1929, ატლანტა, ჯორჯიის შტ., — 4. IV. 1968, მემფისი, ტენესის შტ.), აშშ-ში ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის ლიდერი. 1955 დაამთავრა ბოსტონის უნ-ტი ფილოს. დოქტორის ხარისხით. 1954-იდან იყო ბაპტისტური ეკლესიის პასტორი. 1957 ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ზანგთა ორგანიზაციას — „ქრისტიანული ხელმძღვანელობის სამხრეთის კონფერენცია". კ-მა მოღვაწეობა დაიწყო როგორც ბურჟ. ლიბერალმა, სიცოცხლის ბოლო წლებში ჩასწვდა რასობრივი პრობლემის სოც. არსს, დარწმუნდა სოც. რეფორმების გატარების აუცილებლობაში. მოუწოდებდა ზანგებს თეთრკანიან მშრომელებთან ერთად ემოქმედათ. მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლაში ფართოდ მიმართავდა ძალადობის გამოუყენებლად აქტ. მასობრივი მოქმედების ტაქტიკას. გამოდიოდა აშშ-ის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (1964). მოკლეს რასისტებმა.

კინგისეპი ვიქტორ ედუარდის ძე [12 (24). III. 1888, კაარმა-სუორე, კ. საარეემაა, — 4. V. 1922, ტალინი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთსა და ესტონეთში. კომპარტიის წევრი 1906-იდან. რევ. მოძრაობაში ჩაება 1905-იდან. 1917 დამთავრა პეტერბ. უნ-ტი. 1907—14 პარტ. მუშაობას ეწეოდა პეტერბურგსა და ტალინში. მონაწილეობდა გაზ. „კიირნი" („სხივი") გამოცემაში, კავშირი ჰქონდა რსდმპ ცკ-ის რუს. ბიუროსთან, IV სახელმწ. სათათბიროს ბოლშევიკურ ფრაქციასთან და „პრავდასთან". იყო რეპრესირებული. 1917 თებ. რევ. შემდეგ დაბრუნდა პეტროგრადში. ივნისიდან ტალინში ხელმძღვანელობს ესტ. ბოლშევიკურ ორგანიზაციას. 1917 წ. 22 ოქტ. (4 ნოემბ.) ესტლანდიის მხარის სამხ. რევკომის თავ-რის მოადგილე იყო, ჩამოაყალიბა წითელი გვარდია. 1917 წ. 26 ოქტ-იდან (8 ნოემბ.) ესტლანდიის მხარის საბჭოების აღმასკომის წევრი. 1918 მარტიდან მუშაობდა მოსკოვში უმაღლეს რევ. ტრიბუნალში და სრულიად რუს. საგანგებო კომისიაში. 1918 ნოემბრიდან ხელმძღვანელობდა ესტ. კომპარტიას. ესტ. კომპარტიის I (1920) და II (1921) ყრილობებზე აირჩიეს ცკ-ის და ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად.

ლიტ.: Руднев Н., В. Э. Кингисепп, Л., 1962.

კინგისეპი (ყოფ. არენსბურგი, 1952-მდე კურესაარე, სახელი გადაერქვა ვ. *კინგისეპის* პატივსაცემად), ქალაქი ესტ. სსრ-ში, კინგისეპის რ-ნის ცენტრი. მდებარეობს კ. საარემის სამხრ. ნაწილში, რიგის ყურის ნაპირზე.

დაარსდა XIV ს-ში ესტონელთა დასახლების (XII ს.) ადგილზე. 1563 მიიღო ქალაქის სტატუსი. 1560—1645 განეკუთვნებოდა დანიას, შემდეგ — შვეციას. 1721 ნიშტადტის ზავით შეუერთდა რუსეთს. 1940 კ-ში დამყარდა საბჭ. ხელისუფლება. 1941 წ. 5 ოქტ-იდან 1944 წ. 7 ოქტ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

კ-ში არის თევზის, ხორცისა და რძის კომბინატები, ლუდის ქ-ნა; ავეჯის წარმოება. ქალაქის ცენტრს შენარჩუნებული აქვს შუა საუკ. დაგეგმარება — მცირესართულიანი სახლებით განაშენიანებული ვიწრო ქუჩების ქსელი. ყურის ნაპირას, ცენტრ. ნაწილში, მიწაყრილებით და თხრილებით ვარშემორტყმული ციხე-დარბაზია (XIV—XV სს.), აქვეა რატუშა (1670, გადაკეთებულია 1786—87, ბაროკო), ნიკოლოზის ეკლესია (1790, კლასიციზმი). კ-ში არის ვ. კინგისეპის სახლ-მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ციხე-დარბაზში).

კინგისეპი (1922-მდე— იამბურგი), ქალაქი რსფსრ ლენინგრადის ოლქში, მდ. ლუგის ნაპირზე. კინგისეპის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ლენინგრად—ტალინის ხაზზე. ფოსფორიტების მოპოვება. სატყეო მრეწვ. მეურნ., ტყავისა და რძის ქ-ნები, ხე-ტყე-ავეჯის კომბინატი. დაარსდა 1384, ქალაქია 1784-იდან. სახელი ეწოდა ვ. *კინგისეპის* პატივსაცემად.

კინგსტონი (ინგლ. kingston valve), გემის წყალქვეშა ნაწილის გარსამოსზე მოთავსებული სარქველი. გემის სისტემების (საბალასტე, ხანძარსაწინააღო, კონდენსატორების ან ძრავების გასაცივებელი და სხვა სისტემები) მიმღებ ან გადასასხმელ მილყელებთან მიერთებული კ. მილსადენებს ან გემის ნაკვეთურებს ავსებს ბორტს გარეთა წყლით, ნამუშევარ წყალს კი ბორტის გარეთ ასხამს.

კინგსტონი (Kingston), იამაიკის დედაქალაქი. მდებარეობს კ. იამაიკის სამხრ. ნაპირზე, უბის სილრმეში. ჰავა ნოტიო ტროპიკულია. იანვ. საშ. ტემპ-რა 24,3°C, ივლისისა 27,6°C. ნალექები 700 *მმ* წელიწადში. 614 ათ. მცხ. (გარეუბნებიანად, 1976).

კ. დააარსეს ინგლისელებმა XVII ს. შუა წლებში; იყო ვესტინდოეთის მონათვაჭრობის მსხვილი ცენტრი. 1703 კ. ხანძარმა დააზარალა. 1872-იდან იამაიკის დედაქალაქია. 1907 კ. თითქმის მთლიანად დაანგრია მიწისძერამ. XX ს. 30-იანი წლებიდან ანტიკოლონ. გამოსვლებისა და დიდი გაფიცვების ცენტრი გახდა. 1962 კ-ში გამოცხადდა იამაიკის დამოუკიდებლობა.

კ. ქვეყნის მთავარი სამრეწვ.-სავაჭრო და კულტ. ცენტრია. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. კ-ის ნავსადგურზე მოდის იამაიკის თითქმის მთელი იმპორტი და ექსპორტის (შაქარი, რომი, ყავა, ბანანი) დიდი ნაწილი. კვების, საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, ხის დასამუშ., ნავთობგადასამუშ. და ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები. გარეუბანში არის ცემენტის ქ-ნა. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი პელისეიდოსი.

კ-ში არის ვესტინდოეთის უნ-ტის 5 ფაკ-ტი, 6 ინ-ტი, სამეცნ. დაწესებულებები, ბ-კები, მუზეუმები.

კინგსტონი (Kingston), ქალაქი სამხრ. კანადაში, ონტარიოს პროვინციაში. 59 ათ. მცხ. (1973). სარკინიგზო კვანძი. ნავსადგური ონტარიოს ტბაზე. გააქვთ მარცვლეული, ხე-ტყე. ელევატორები. ფერადი მეტალურგია, სატრანსპ. მანქანათმშ., საფეიქრო მრეწველობა. კერამ. წარმოება. უნ-ტი.

კინდია (Kindia), ქალაქი გვინეაში. 152 ათ. მცხ. (1970). რკინიგზითა და საავტ. გზით უკავშირდება კონაკრის. სას.-სამ. რ-ნის (ბანანი, ანანასი, ბრინჯი, ციტრუსები) სავაჭრო ცენტრი, კვების მრეწვ. საწარმოები. კ-ის რ-ნში არის ბოქსიტის დიდი საბადოები, რ-ის ათვისების პროექტი ხორციელდება სსრკ-ის დახმარებით.

კინდლი, სოფელი აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნში, შავიზღვისპირა დაბლობზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ახიკაა, ლეფონა). ზ. დ. 40 *მ*, ოჩამჩირიდან 20 *კმ*, ტამიშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა, კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მესიმინდეობა), ჩაის ფ-კა, საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, 2 კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კინეანი (Kean), ინგლისელ მსახიობთა ოჯახი. ედმონდი (17. III. 1787, ლონდონი, — 15. V. 1833. რიჩმონდი), ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგიკოსი. 1814-იდან იყო ლონდონის თეატრ „დრური-ლეინის" მსახიობი. მისი შესრულებული ყოველი როლი დიდ საზ. მოვლენად იქცეოდა. იგი, როგორც მსახიობი გამოირჩეოდა მძლავრი ტემპერამენტით, დიდი ინტელექტით, სცენაზე ქმნიდა დიდი მორალური სიწმინდის სახეებს: ოტელო, ჰამლეტი (შექსპირის „ოტელო", „ჰამლეტი" და სხვ.). გამოხატავდა პროტესტს ინგლ. საზ-ბაში გამეფებული მლიქვნელობის, სიყალბის მიმართ. უდიდესი ტრიუმფის შემდეგ დაიწყო მისი დევნა. 1825—26 აშშ-ში გასტროლების შემდეგ სცენაზე თითქმის აღარ გამოსულა. ჩარლზ ჯონი (18. I. 1811, უოტერფორდი, — 22. I. 1868, ლონდონი), ედმონდ კ-ის შვილი. 1827-იდან გამოდიოდა „დრური-ლეინის" სცენაზე. 1859 თეატრი დატოვა.

ლიტ.: История западноевропейского театра, т 3, М., 1963; Минц Н., Эдмунд Кин, М., 1937.

კინელი, ქალაქი (1944-იდან) რსფსრ კუიბიშევის ოლქში. დიდი სარკინიგზო კვანძი, კუიბიშევიდან 41 *კმ*. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები, ავეჯის, სამკერვალო ნაწარმისა და კვების პროდუქტების წარმოება. სას.-სამ. ინ-ტი. კ. დაარსდა 1837.

კინემატიკა (<ბერძნ. kinēma, ნათ. ბრ. kinēmatos — მოძრაობა), *მექანიკის* ნაწილი, რ-იც შეისწავლის სხეულთა მოძრაობის გეომეტრიულ თვისებებს მათი მასისა და მათზე მოქმედი ძალების გაუთვალისწინებლად. კ-ის შექმნაში უდიდესი როლი შეასრულეს გ. *გალილეიმ*, ი. *ნიუტონმა* და ლ. *ეილერმა*.

მატერიალური წერტილის კ. მატერ. წერტილის მოძრაობის განსაზღვრისათვის საჭიროა მოცემული იყოს *ათვლის სისტემის* მიმართ მისი რადიუს-ვექტორი, როგორც *t* დროის ფუნქცია. ეს იმის ტოლფასია, რომ მოცემული იყოს წერტილის x, y, z კოორდინატები, როგორც დროის ფუნქციები (ნახ. 1). ამრიგად, მოძრაობა აიწერება ან $r=r(t)$ განტოლებით, ან $x=x(t)$, $y=y(t)$, $z=z(t)$ განტოლებებით. თუ მატერ. წერტილის ტრაექტორიაზე ავიღებთ ნებისმიერ საწყის წერტილს და ამ წერტილიდან მატერ. წერტილამდე მანძილს, რ-იც ტრაექტორიის გასწვრივ იზომება, *s*-ით აღვნიშნავთ, მოძრაობა განისაზღვრება $s=s(t)$ ფუნქციით (ნახ. 1,2). მოძრაობის აღწერის ზემოთ მოყვანილ წესებს ეწოდება შესაბამისად: ვექტორული, კოორდინატული და ბუნებრივი.

მატერ. წერტილის მოძრაობის ძირითადი დამახასიათებელი სიდიდეებია მისი *სიჩქარე* და *აჩქარება*.

აბსოლუტურად მყარი სხეულის კ. მყარი სხეულის მოძრაობის აღწერის წესი დამოკიდებულია მისი მოძრაობის სახეზე, ხოლო მოძრაობის განტოლებათა რიცხვი — თავისუფლების ხარისხთა რიცხვზე. მოძრაობის უმარტივესი სახეებია: *წინსვლითი მოძრაობა* და *ბრუნვითი მოძრაობა*. მყარი სხეულის წინსვლითი მოძრაობისას მისი ყოველი მონაკვეთი თავისი თავის პარალელურად გადაადგილდება. სხეულის ყველა მატერ. წერტილი აღწერს ერთნაირ ტრაექტორიებს, მათ ექნებათ ერთნაირი სიჩქარე და აჩქარება. ამრიგად, მყარი სხეულის წინსვლითი მოძრაობა დაიყვანება ერთი მატერ. წერტილის მოძრაობაზე. ბრუნვითი მოძრაობისას z უძრავი ღერძის გარშემო (ნახ. 3) სხეულს აქვს ერთი თავისუფლების ხარისხი.

უფრო რთულია მყარი სხეულის მოძრაობა ერთი უძრავი წერტილის გარშემო. ეს მოძრაობა შეიძლება დავიყვანოთ შემობრუნებაზე ე. წ. მყისი ღერძის გარშემო, რ-იც ამ უძრავ წერტილზე გადის. დროის განმავლობაში მყისი ღერძის ორიენტაცია იცვლება (ნახ.4).

მყარი სხეულის ნებისმიერი მოძრაობა დაიყვანება მისი რომელიმე წერტილის (ვ. წ. პოლუსის) წინსვლითს მოძრაობასა და ამ წერტილზე გამავალი მყისი ღერძის გარშემო შემობრუნებაზე. დინამიკის ამოცანებში პოლუსად ჩვეულებრივ სხეულის ინერციის ცენტრს ირჩევენ.

უწყვეტი გარემოს კ. განიხილავს ამ გარემოს მოძრაობის აღწერით წესებს, დეფორმაციის ზოგად თეორიას და ადგენს გარემოს უწყვეტობის ამსახველ ე. წ. უწყვეტობის განტოლებებს. კ. შეისწავლის აგრეთვე *რთულ მოძრაობას*.

სინათლის სიჩქარის მახლობელი სიჩქარეებით მოძრაობის კ-ის შესახებ იხ. *ფარდობითობის თეორია*, ხოლო მიკრონაწილაკების მოძრაობის კ-ის შესახებ— *კვანტური მექანიკა*.

ლიტ. მირიანაშვილი მ., ზოგადი ფიზიკის კურსი, ნაწ. 1, თბ., 1964; Ландау Л. Д., Лифшиц Е. М., Механика. М., 1958 (Теоретическая физика, т 1).

კინემატიკა მექანიზმებისა, მანქანების და მექანიზმების თეორიის ნაწილი, რ-იც შეისწავლის მექანიზმის (წევრების) მოძრაობის გეომეტრიულ მხარეს და უგულებელყოფს მის გამომწვევ მიზეზებს. კ. წყვეტს კინემატიკური ანალიზისა და კინემატიკური სინთეზის ამოცანებს. კინემატიკური ანალიზის ძირითადი ამოცანაა: წევრთა მდგომარეობის, მექანიზმის ცალკეულ წერტილთა ტრაექტორიის, წევრთა კუთხური სიჩქარისა და აჩქარების, მექანიზმის ცალკეულ წერტილთა ხაზოვანი სიჩქარისა და აჩქარების განსაზღვრა. თითოეული ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა მექანიზმის. მუდმივი გეომ. პარამეტრებისა და წამყვანი წევრების მოძრაობის კანონების ცოდნა. მაგ., ბრტყელი სახსრული მექანიზმისათვის (ნახ. 1) ცნობილი უნდა იყოს მანძილი სახსრების ცენტრებს შორის და წამყვანი AB წევრის მოძრაობის კანონი. მუშტა მექანიზმისათვის (ნახ. 2) — მუშტას პროფილი და მისი მოძრაობის კანონი, გორგოლაჭის რადიუსი, მანძილი C და D, A და D სახსრებს შორის. წევრების მდგომარეობას გრაფ. და ანალიზური მეთოდით საზღვრავენ. მექანიზმისათვის ყოველთვის შეიძლება აიგოს ნებისმიერი სირთულის ბრტყელი და სივრცითი მექანიზმების ყველა მდებარეობა. ანალიზური მეთოდით შესაძლებელია განისაზღვროს წევრების მდებარეობა წინასწარ მოცემული სიზუსტით. მექანიზმის ცალკეული წერტილების ტრაექტორიებს საზღვრავენ წევრების მდებარეობის განსაზღვრასთან ერთად. რომელიმე წერტილის სიჩქარის განსასაზღვრავად აგებენ ამ წერტილის ტრაექტორიის დიაგრამას დროის ცვლილების მიხედვით. ამისათვის იყენებენ წევრების მდებარეობის განსაზღვრულ მონაცემებს, შემდეგ კი იყენებენ გრაფ. დიფერენციირებას და აგებენ სიჩქარის დიაგრამას დროის ცვლილების მიხედვით. ეს მეთოდი შედარებით მარტივია, მაგრამ ნაკლებ ზუსტია. სიჩქარეთა გეგმის მეთოდს იყენებენ ბრტყელი და სივრცული მექანიზმებისათვის. სიჩქარეთა გეგმის აგებისას იყენებენ თანაფარდობას მექანიზმის სხვადასხვა წერტილის სიჩქარეთა ვექტორებს შორის. ამ მეთოდის სიზუსტეც შეზღუდულია. თუ საჭიროა კინემატიკური გაანგარიშების დიდი სიზუსტე, მიმართავენ კინემატიკური პარამეტრების განსაზღვრის ანალიზურ მეთოდებს. მექანიზმების წერტილთა აჩქარებას საზღვრავენ აჩქარების გეგმით და ანალიზური მეთოდით. ზოგიერთი სწრაფსვლიანი მექანიზმისათვის საზღვრავენ როგორც 1-ლი რიგის, ისე მე-2 რიგის აჩქარებას, რ-საც ხანდახან გაკვრას უწოდებენ. მექანიზმის კინემატიკური სინთეზის ამოცანები განხილული კინემატიკური ანალიზის შებრუნებული ამოცანებია. მექანიზმების სინთეზის ამოცანები კინემატიკური ანალიზის ამოცანებისაგან განსხვავდება დიდი სირთულით.

ლიტ.: Артоболевский И. И., Теория механизмов, 2 изд., М., 1967.

კინემატიკური სიბლანტე, იხ. სტ. *სიბლანტე*.

კინემატიკური წყვილი, 2 მიმხები წევრის შეერთება, რაც მათი ფარდობითი მოძრაობის საშუალებას იძლევა. ზედაპირებს, წრფეებს, წერტილებს, რ-ებითაც ერთი წევრი მეორეს ეხება, წევრის ელემენტებს უწოდებენ. კ. წ-ებს უმდაბლესი ეწოდება, თუ წევრები ერთმანეთს ზედაპირებით ეხება, ხოლო თუ წირებითა და წერტილებით—უმაღლესი. შესაძლო მოძრაობათა რიცხვის, თავისუფლების ხარისხის, მიხედვით არსებობს კ. წ-ების 5 კლასი. მაგ., სახსრიანი შეერთება, რ-ის დროსაც მხოლოდ ბრუნვითი მოძრაობაა შესაძლებელი, განეკუთვნება V კლასის კ. წ-ს, ხოლო სფერო სიბრტყეზე — I კლასის კ. წ-ს (ნახ. გვ. 520). კ. წ-ებით დაკავშირებულ წევრთა სისტემას კინემატიკური ჯაჭვი ეწოდება.

კინემატოგრაფია, კინემატოგრაფი (ბერძნ. kinēma, ნათ. ბრ. kinēmatos — მოძრაობა და graphō — ვწერ), კულტურისა და სახალხო მეურნეობის დარგი, რ-იც აწარმოებს და მაყურებელს უჩვენებს კინოფილმებს. კ., როგორც ხელოვნების ყველაზე მასობრივი დარგი (იხ. *კინოხელოვნება*), პოლიტ. და მეცნ. პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა. *ფილმებს* იღებენ *კინოსტუდიაში*. კინოფირსა და აპარატურას ამზადებს *კინომრეწველობა*. ფილმების დემონსტრირება ხდება *კინოთეატრებში* კინოდანადგარებისა და ტელევიზიის საშუალებით. ტერმინი „კინემატოგრაფი" გაჩნდა 1892.

კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი, სსრკ-ის უმაღლესი სასწავლებელი, რ-იც კინემატოგრაფიის და ტელევიზიისათვის ამზადებს სცენარისტებს, მსახიობებს, ოპერატორებს, კინომცოდნეებს, რედაქტორებს, ფილმის მხატვრებს, ეკონომისტებს. გაიხსნა 1919 წ. 1 სექტ. მოსკოვში როგორც კინემატოგრაფიის სახელმწ. სკოლა. ეს იყო მსოფლიოში პირველი და შემდგომი 20 წლის განმავლობაში ერთადერთი სახელმწ. სასწავლებელი, რ-იც ამზადებდა კინომუშაკებს. მისი დამაარსებლები, პირველი ხელმძღვანელები და პედაგოგები იყვნენ ვ. გარდინი, ლ. კულეშოვი, ლ. ლეონიდოვი, ო. პრეობრაჟენსკაია და სხვ. 1925 სკოლა გადაკეთდა კინოტექნიკუმად, 1930 — კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტად, 1934 კი მიიღო ახლანდ. სახელწოდება. ამ სასწავლებელში სწავლობდა საბჭ. კინოს მრავალი გამოჩენილი ოსტატი.

1977—78 წწ. ინ-ტში სწავლობდა 1500-მდე სტუდენტი, მ. შ. საზღვარგარეთის 35 ქვეყნის წარმომადგენლები. მათ აღზრდას ემსახურებიან თვალსაჩინო საბჭ. კინემატოგრაფისტები: ს. გერასიმოვი, ა. გოლოვნია, ა. ზგურიდი, თ. მაკაროვა, ნ. ლებედევი, ვ. ჟდანი, რ. იურენევი და სხვ. 1965 წლიდან ინ-ტი უშვებს კრებულებს: „კინოს ისტორიისა და თეორიის საკითხები" და „კინემატოგრაფი დღეს".

საქ. სსრ კინოსა და ტელესტუდიებში ახლა ძირითადი წამყვანი ძალაა ინ-ტის კურსდამთავრებულები: რ. ჩხეიძე, თ. აბულაძე, ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები, ო. იოსელიანი, მ. კობახიძე, მ. კოკოჩაშვილი, გ. მგელაძე, ს. ჟღენტი, ო. აბესაძე, დ. მარგიევი, ლ. ღოღობერიძე, ლ. სიხარულიძე, გ. ჭუბაბრია, ბ. ხოტივარი, ე. მიქელაძე, გ. კანდელაკი და სხვ. ინ-ტის პირველი კურსდამთავრებულები ჩვენი რესპუბლიკიდან იყვნენ — კ. პიპინაშვილი, კ. გოგოძე, ფ. ვისოცკი, შ. ხომერიკი, შ. ჩაგუნავა და სხვ.

გ. დოლიძე.

კინესთეტიკური შეგრძნებები, მოტორული შეგრძნებები, ადამიანის სხეულისა და მისი ნაწილების (ხელის, ფეხის და ა. შ.) მოძრაობის, მდგომარეობისა და კუნთური დაძაბვის (მაგ. სიმძიმის) შეგრძნებები. კუნთური დაძაბვის კ. შ-ის რეცეპტორები განლაგებულია კუნთებსა და მყესებში; მათ გაღიზიანებას იწვევს კუნთის შეკუმშვით გამოწვეული ქსოვილის დაჭიმვა. ამგვარ კ. შ-ს კუნთურ შეგრძნებებსაც უწოდებენ. მოძრაობისა და მდგომარეობის კ. შ-ს, რ-ის რეცეპტორები სახსრებშია განლაგებული, სახსრების შეგრძნებებსაც უწოდებენ. კ. შ-ის მეშვეობით შეხებითი აღქმის პროცესში აღვიქვამთ აგრეთვე ობიექტურ საგანთა თვისებებს (სიდიდეს, სიმაგრეს, სირბილეს). თვალის კ. შ. სივრცის ოპტ. აღქმის საფუძველია. მეტყველების დაუფლებაში მნიშვნელოვან როლს საართიკულაციო ორგანოების კ. შ. ასრულებს. *რ. ნათაძე.*

კინესკოპი (ბერძნ. kinēsis — მოძრაობა და skopeō — ვუყურებ), სატელევიზიო მიმღები მილაკი, რ-იც სატელევიზიო სიგნალს ოპტიკურ გამოსახულებად გარდაქმნის. კ. ტელევიზორის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. იგი მინის კოლბაა (ნახ. 1), საიდანაც ამოტუმბულია ჰაერი. მისი შემადგენელი ნაწილებია პროჟექტორი, ელექტროსტატ. ან ელექტრომაგნ. გადამხრელი სისტემა და ეკრანი. პროჟექტორის (იხ. *ელექტრონულ-სხივური მილაკი*) მეშვეობით მიიღება ელექტრონების ვიწრო კონა (ელექტრონული სხივი), რ-იც ეკრანს დაეცემა და გაანათებს. ელექტრომაგნ. გადამხრელი სისტემა შედგება ორი კოჭასაგან; თითოეულში გადის სპეც., ე. წ. გამშლელ გენერატორებში გენერირებული ხერხისებრი დენი, რ-იც ელექტრონულ სხივს ჰორიზ. და ვერტ. სიბრტყეში გადახრის (გამოსახულების სტრიქონული და კადრული გაშლა). როცა ორივე კოჭაში გამშლელი დენი გაივლის, ეკრანზე მიიღება ერთიმეორესთან ახლო მდებარე მნათი სტრიქონების ერთობლიობა (*რასტრი*). სტრიქონული და კადრული გაშლა ხდება გადამცემ ელექტრონულ-სხივურ მილაკში გაშლის სინქრონულად და სინფაზურად.

კ-ის ეკრანი მაღალი ხარისხის სქელი მინაა, რ-ის შიგა ზედაპირი დაფარულია ლუმინოფორით, რ-იც მაშინ ნათდება, როცა ელექტრონული სხივი ეცემა. ეკრანის ნათების ფერის მიხედვით განასხვავებენ შავ-თეთრსა და ფერად კ-ებს. ეკრანზე დაცემული ელექტრონების მოსაცილებლად კ-ის კონუსური ზედაპირი შიგნიდან დაფარულია აკვადაგით (გრაფიტის ელექტრომაგნ. შრე). ელექტრომაგნ. გადამხრელი სისტემის მქონე კ-ებში ეკრანის ცენტრ. ნაწილში წარმოიქმნება ბნელი ლაქა, რ-საც ლუმინოფორის დაშლა იწვევს (ეს ხდება მაშინ, როცა ეკრანს უარყოფითი იონები ეცემა). ლაქის წარმოქმნის საწინააღმდეგოდ ახ. კონსტრუქციის კ-ებში ლუმინოფორი პროჟექტორის მხრიდან დაფარულია ალუმინის თხელი (0,1—1 *მმ*) ფენით, რ-იც შეერთებულია აკვადაგთან. ეს ფენა გამჭვირვალეა მხოლოდ დიდი სიჩქარით მოძრავი ელექტრონებისათვის. ალუმინის ფენას სხვა დანიშნულებაც აქვს — იგი გამოსახულებას უფრო კაშკაშასა და კონტრასტულს ხდის.

ფერად ტელევიზიაში კ. უმთავრესად ორგვარია: ჩრდილნილბიანი (ნახ. 2) და შტრიხული. ჩრდილნილბიან კ-ს აქვს სამი წრიულად განლაგებული და ღერძისაკენ 1°-იანი კუთხით დახრილი პროჟექტორი. ასეთი კ. ლუმინოფორის ჯგუფებისაგან (ტრიადებისაგან) შემდგარი მოზაიკაა. თითოეული ტრიადა შედგება 3 სხვადასხვა ფერის ლუმინოფორის მარცვლისაგან. ყოველი მათგანი ელექტრული სხივის დაცემისას ანათებს მხოლოდ ერთფერად (წითლად, მწვანედ ან ლურჯად). მათი ერთდროული ნათება იწვევს ფერთა სივრცულ შეკრებას. ეკრანის წინ ლითონის ჭვრიტეებიანი დიაფრაგმაა (ჩრდილის ნიღაბი). იგი ისეა დადგმული, რომ ჭვრიტეებში გამავალი სამი სხივიდან თითოეული ეცემა ლუმინოფორის მხოლოდ ერთ მარცვალს (რ-იც იმ ფერად ანათებს, რ-ის შესაბამისადაც მოდულირებულია სხივი; იხ. *მოდულაცია რხევებისა*). სამივე ელექტრონულ სხივს ერთი გადამხრელი სისტემა შლის. სხივთა მიმართულების სარეგულირებლად კ-ს ცილინდრულ ყელზე ელექტრომაგნიტები აქვს.

შტრიხული კ-ის ეკრანი შედგება ლუმინოფორის ვერტ. ზოლებისაგან, რ-ებიც სხივის დაცემისას წითლად, მწვანედ და



კინემატიკა. ნახ. 2. მოძრაობის გრაფიკი. t ღერძის გასწვრივ გადაზომილია დრო, ხოლო S ღერძის გასწვრივ—მანძილი.



კინემატიკა. ნახ. 3. სხეულის ბრუნვითი მოძრაობა. Z არის უძრავი ღერძი, φ-მობრუნების კუთხე. ძირითადი კინემატიკური მახასიათებლებია: ω კუთხური სიჩქარე, ε კუთხური აჩქარება, მოძრაობის განტოლებაა $\varphi=f(t)$.



კინემატიკა. ნახ. 4. ერთი უძრავი O წერტილისა და 3 თავისუფლების ხარისხის მქონე სხეულის მოძრაობა, ძირითადი კინემატიკური მახასიათებლებია: ω მყისი კუთხური სიჩქარე და ε მყისი კუთხური აჩქარება.



კინემატიკა მექანიზმებისა. ნახ. 1. ბრტყელი სახსრული მექანიზმი.



კინემატიკა მექანიზმებისა. ნახ 2. მუშტა მექანიზმი. 1—მუშტას პროფილი; 2—მხარი; 3 — გორგოლაჭი.

ლურჯად ანათებს. ეკრანის წინ დადგმულია ლითონის ვერტ. გამტარებისაგან შედგენილი, ერთიმეორისაგან იზოლირებული ორი ბადე. ერთი მათგანი დგას ლუმინოფორის „წითელი“, ხოლო მეორე „ლურჯი“ ზოლის წინ. ბადეებზე მოქმედებს მაღალი სიხშირის მმართველი ძაბვა. როცა ბადეზე პოტენციალი ნულის ტოლია, ელექტრონული სხივი ეცემა ლუმინოფორის „მწვანე“ ზოლს, თუ პოტენციალი დადებითია, — „წითელ“ ზოლს, ხოლო თუ უარყოფითია, — „ლურჯ“ ზოლს.

ფერადი კ-ით შეიძლება შავ-თეთრი გამოსახულების მიღებაც.

ბ. კიკვილაშვილი.



კინესკოპი. ნახ. 1. კინესკოპის სქემა შავ-თეთრი გამოსახულებისათვის: 1 — კათოდის შემთბობის ძაფი; 2—კათოდი; 3—მმართველი ელექტროდი; 4—ამჩქარებელი ელექტროდი; 5—პირველი ანოდი; 6—მეორე ანოდი; 7—გამტარი დანაფარი (აკვადაგი); 8—სხივის ვერტიკალური გადახრის კოჭები; 9—სხივის ჰორიზონტალური გადახრის კოჭები; 10—ელექტრონული სხივი; 11—ეკრანი; 12—მეორე ანოდის გამომყვანი.



კინემატიკური წყვილი. I—II კლასები—უმალლესი; III—V კლასები—უმდაბლესი.



კინესკოპი. ნახ. 2. ჩრდილნილბიანი ფერადი კინესკოპის სქემა: 1—ეკრანი; 2—ლუმინოფორებისწერტილთა ჯგუფები (ტრიადები); 3—წვრილსტრუქტურიანი ფერდამყოფი ნილაბი; 4—ელექტრონული პროჟექტორი; 5—გადამხრელი სისტემა; 6—რადიალური ნათების სისტემა; 7—ფერის სიწმინდის მაგნიტი; 8—სხივის გადანაცვლებას მაგნიტი.

კინეტიკა (<ბერძნ. kinētikos — ამმოძრავებელი), *მექანიკის* ძირითადი ნაწილი, რ-იც მოიცავს *დინამიკას* (მოძღვრებას ძალების ზემოქმედებით სხეულთა მოძრაობის შესახებ) და *სტატიკას* (მოძღვრებას ძალთა ზემოქმედებით სხეულთა წონასწორობის შესახებ).

კინეტიკური განტოლება ბოლცმანისა, განტოლება აირის მოლეკულების v სიჩქარეებისა და r კოორდინატების მიხედვით (დროზე დამოკიდებულებით) განაწილების $f(v, r, t)$ ფუნქციისათვის, რ-იც აღწერს მცირე სიმკვრივის აირებში მიმდინარე არაწონასწორულ პროცესებს. f ფუნქცია განსაზღვრავს იმ ნაწილაკების საშ. რიცხვს, რ-თა სიჩქარეები იცვლება მცირე ინტერვალში v-დან $(v+\Delta v)$-მდე. მცირე ინტერვალში r-იდან $(r+\Delta r)$-მდე იცვლება აგრეთვე კოორდინატები. თუ განაწილების ფუნქცია დამოკიდებულია მხოლოდ x კოორდინატსა და სიჩქარის v_x მდგენელზე, ჰ. გ. ბ. მიიღებს სახეს:

$$\frac{\partial f}{\partial t} + v_x\frac{\partial f}{\partial x} + \frac{F}{m}\,\frac{\partial f}{\partial v_x} = \left(\frac{\partial f}{\partial t}\right)_{\text{დაჯ}}$$

(m ნაწილაკის მასაა). განაწილების ფუნქციის ცვლილების სიჩქარე დროის მიხედვით ხასიათდება $\frac{\partial f}{\partial t}$ კერძო წარმოებულით; განტოლების მეორე წევრი, რ-იც განაწილების ფუნქციის კოორდინატის მიხედვით კერძო წარმოებულის პროპორციულია, ითვალისწინებს f ფუნქციის ცვლილებას სივრცეში ნაწილაკთა გადანაცვლების შედეგად; მესამე წევრი განსაზღვრავს f ფუნქციის ცვლილებას, რაც გარე F ძალთა ზემოქმედებითაა გამოწვეული. წევრი, რ-იც განტოლების მარჯვენა მხარესაა, ახასიათებს ნაწილაკთა დაჯახების შედეგად განაწილების ფუნქციის ცვლილების სიჩქარეს. იგი დამოკიდებულია f-სა და ნაწილაკთა შორის ურთიერთქმედების ძალების ხასიათზე. ჰ. გ. ბ. გამოიყვანა *ლ. ბოლცმანმა* 1872.

კინეტიკური ენერგია, მატერიალური სისტემის მექანიკური ენერგია, რ-იც დამოკიდებულია მისი წერტილების მოძრაობის სიჩქარეზე. მატერ. წერტილის T ჰ. ე. იზომება მისი m მასისა და v სიჩქარის კვადრატის ნამრავლის ნახევრით, ე. ი. $T = mv^2/2$. მექან. სისტემის ჰ. ე. უდრის მისი ყველა წერტილის ჰ. ე-ების არითმ. ჯამს: $T=\sum m_i v_i^2/2$. მაგ., წინსვლით მოძრავი მყარი სხეულისათვის $T=Mv^2/2$, სადაც M არის სხეულის მასა, v— მისი სიჩქარე. უძრავი ღერძის ირგვლივ მბრუნავი მყარი სხეულისათვის $T=I\omega^2/2$, სადაც I არის სხეულის *ინერციის მომენტი* ბრუნვის ღერძის მიმართ, ω — სხეულის კუთხური სიჩქარე

სინათლის სიჩქარის მახლობელი სიჩქარეებისათვის მატერ. წერტილის ჰ. ე. $T = m_0c^2/\left(\sqrt{1-v^2/c^2}\right) - m_0c^2$, სადაც m_0 არის უძრავი წერტილის მასა, c—სინათლის სიჩქარე ვაკუუმში (m_0c^2 უძრავი წერტილის ენერგიაა). მცირე სიჩქარეების დროს ($v \ll c$) მიიღება ჩვეულებრივი ფორმულა $mv^2/2$. იხ. აგრეთვე *ენერგია*.

კინეტიკური თეორია აირისა, თეორია, რ-იც აირების თვისებებს ხსნის მათი მოლეკულების ქაოსური მოძრაობისა და ურთიერთქმედების საფუძველზე. ეს თეორია ძირითადად ჩამოაყალიბეს რ. კლაუზიუსმა, ჯ. მაქსველმა და ლ. ბოლცმანმა (XIX ს.). აირის კინეტიკური თეორიის განვითარების ძირითადი ეტაპებია: კლაუზიუსის მიერ იდეალური აირის კანონების მოლეკულურ-კინეტიკური გამოყვანა, კავშირის დამყარება მოლეკულათა საშ. კინეტიკურ ენერგიასა და ტემპ-რას შორის, მოლეკულების საშ. განარბენის ცნების შემოღება, მაქსველის ხიერ ალბათობის ცნების გამოყენება და სიჩქარეთა განაწილების კანონის დადგენა, ბოლცმანის მიერ კინეტიკური თეორიის ძირითადი განტ. დადგენა, რამაც მას საშუალება მისცა კინეტიკური თეორია დაეკავშირებინა თერმოდინამიკასთან და შეექმნა შეუქცევი კინეტიკური პროცესების თეორიის განვითარების საფუძველი. ჰ. ო. ა. მჭიდროდაა დაკავშირებული სტატისტ. ფიზიკასთან, რ-იც განვითარდა მაქსველის, ბოლცმანისა და ჯ. გიბზის შრომების შედეგად.

აირის ელემენტარული თეორია ემყარება იმ გამარტივებულ დაშვებას, რომ აირის ნაწილაკები ერთი დაჯახებიდან მეორემდე თავისუფლად მოძრაობენ. სტატისტ. წონასწორობის მდგომარეობაში ნაწილაკების მოძრაობა ყველა მიმართულებით თანაბრად ალბათურია. ამ დაშვებაზეა დამყარებული ნაწილაკების სიჩქარეთა განაწილების კანონი — სიჩქარეთა განაწილების მაქსველის კანონი, რ-ის საფუძველზეც გამოჰყავთ ნაწილაკის წინსვლითი მოძრაობის საშ. კინეტიკური ენერგიის ფორმულა: $\frac{m\overline{v^2}}{2} = \frac{3}{2}kT$, სადაც m არის ნაწილაკის მასა, v—მისი ქაოსური მოძრაობის სიჩქარე, k — ბოლცმანის მუდმივა, ხოლო T—აბსოლ. ტემპ-რა. აირის შინაგანი ენერგია გამოითვლება როგორც ნაწილაკთა კინეტიკური ენერგიების ჯამი, ხოლო წნევა — როგორც იმპულსის საშ. მნიშვნელობა, რ-საც აირის ნაწილაკები ჭურჭლის კედლის ფართობის ერთეულს გადასცემს. კინეტიკური თეორიის საფუძველზე მიიღება იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება (იხ. *კლაპეირონის განტოლება*).

რეალური აირებისათვის, რ-თა ნაწილაკებს შორის ურთიერთქმედების უგულებელყოფა არ შეიძლება, ჰ. ო. ა. პირველი მიახლოებით იძლევა *ვან დერ ვაალსის განტოლებას*. ნაწილაკის საშ. განარბენის ცნების დახმარებით ელემენტარული კინეტიკური თეორია გადატანის მოვლენების (დიფუზიის, შინაგანი ხახუნისა და სითბოგამტარობის) მარტივი თეორ. განვითარების საშუალებას იძლევა.

აირის მკაცრი კინეტიკური თეორია ემყარება ბოლცმანის კინეტიკურ განტოლებას (იხ. *კინეტიკური განტოლება ბოლცმანისა*).

ლიტ.: Больцман Л., Лекции по теории газов, пер. с нем., М., 1953; Кикоин И. К., Кикоин А. К., Молекулярная физика, М., 1963, гл. 1, 2.

კინეტიკური მომენტი, იგივეა, რაც *მოძრაობის რაოდენობის მომენტი*.

კინეტოსკოპი (ბერძნ. kinētos — მოძრავი და skopeō — ვუყურებ), აპარატი, რ-იც განსაზღვრული სიჩქარით თანამიმდევრულად აჩვენებს ფოტოგრაფიულ სურათებს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს გადაღებული ობიექტი მოძრაობდეს. ჰ. კინემატოგრაფიის ერთ-ერთი წინამორბედია. მისი პირველი მოდელი შეიმუშავა ტ. *ედისონმა* 1891.

კინეტოსტატიკა მექანიზმებისა, მანქანებისა და მექანიზმების თეორიის ნაწილი, რ-შიც ე. წ. ძალური გაანგარიშების მეთოდით საზღვრავენ მექანიზმის კინემატიკური წყვილების ელემენტთა რეაქციას იმ პირობით, თუ ცნობილია მექანიზმის მოძრაობის კანონი. მექანიზმების კინეტოსტატიკური გაანგარიშება საჭიროა ახ. მანქანების დაპროექტების დროს მათი სიმტკიცეზე ანგარიშისათვის. თუ მექანიზმის წევრებზე (რგოლებზე) მოდებულ გარე ძალას დაემატება მათი ინერციის ძალები, მაშინ *დ'ალამბერის პრინციპის* საფუძველზე მთელი მექანიზმი და მისი ცალკეული ნაწილები შეიძლება წონასწორულ მდგომარეობაში განვიხილოთ. ამიტომ მექანიზმზე მოქმედი ძალების განსასაზღვრავად სარგებლობენ სტატიკის განტოლებებით (იხ. *მექანიზმების სტატიკა*). განტოლებათა სისტემებს ადგენენ მექანიზმის ნაწილებისა (წევრებისა) და კინემატიკური წყვილებისათვის. უცნობ რეაქციათა რიცხვი განტოლებათა რიცხვის ტოლია. მსგავს სისტემებს მექანიკაში სტატიკურად რკვევადი ჰქვია. კინემატიკური წყვილებისათვის მექანიზმის ძალურ ანგარიშს თანამიმდევრულად ატარებენ, იწყებენ მექანიზმის საწყისი წევრიდან.

კინემატიკურ წყვილებში ხახუნის ძალების გათვალისწინებისას განტოლებათა სისტემას ემატება კიდევ ერთი დამოუკიდებელი განტ. რეაქციის განსაზღვრის შემდეგ ანგარიშობენ წყვილებში ხახუნის ძალას და ანგარიშებს იმეორებენ. წევრებზე მოდებულ ხახუნის ძალებს ღებულობენ როგორც გარედან მოდებულ ძალებს და ამის გათვალისწინებით საზღვრავენ პირველი მიახლოების დაზუსტებულ რეაქციებს. ანგარიში შეიძლება გაიმეორონ განსაზღვრული ხახუნის ძალების მხედველობაში მიღებით. პრაქტიკულად პირველი მიახლოება საკმარისი არის ხოლმე. მრავალწევრიანი სივრცული მექანიზმების ძალური გაანგარიშებისას კინეტოსტატიკური გაანგარიშების მექანიზმი და მეთოდი იგივე რჩება, ხოლო ამოცანის გადაწყვეტა შედარებით შრომატევადია.

კინეშმა, ქალაქი რსფსრ ივანოვოს ოლქში. გაშენებულია მდ. ვოლგის მარჯვ. ნაპირის გასწვრივ 15 *კმ*-ზე. სამდ. ნავსადგური, რკინიგზის სადგური. 101 ათ. მცხ. (1979). ჰ. ცნობილია XV ს-იდან. 1429 ააოხრეს თათრებმა. 1504 ივანე III-მ უწყალობა თ. ბელსკის, ივანე IV-მ — ი. შუისკის, რ-ის გარდაცვალების შემდეგ ჰ. კვლავ მეფის საკუთრება გახდა (1587). 1608 ორგზის დაიპყრეს პოლონელებმა. 1778-იდან კოსტრომის გუბ. სამაზრო ქალაქია. ქალაქი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენებით (1977, 1979). ჰ. საფეიქრო მრეწვ. დიდი ცენტრია. ქალალდსაკეთებელი მოწყობილობის, ელექტროტექ. ნაკეთობათა და სხვა პროდუქციის წარმოება. სატყეო-ქიმ. ქ-ნა. კვების მრეწვ., სტანდარტული სახლების, საშენ მასალათა დამზადება. 4 ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დრამ. თეატრი.

კინიკური სკოლა, ცინიკური სკოლა (<ბერძნ. kynikos, ლათ. cynicus), სოკრატული ფილოსოფიური სკოლა ძვ. საბერძნეთში, დააარსა ძვ. წ. 380 ანტისთენემ. სოკრატეს მოძღვრებას ავითარებდა ძირითადად ეთიკაში. სოკრატული დებულება — ბედნიერება სიკეთის მიღწევაშია — კინიკოსებმა თავისებურად განავითარეს თავისუფალ, ავტონ. პიროვნების თეორიად. ანტისთენე და დიოგენე სინოპელი ადამიანს

ურჩევდნენ ბუნებასთან დაახლოებას, საზ-ბისაგან გაქცევას, პირველყოფილ მდგო-მარეობაში დაბრუნებას. დიოგენე სინო-პელმა კინიკური იდეები ცხოვრების წესად აქცია („დიოგენეს ფარანი", „დიოგენეს კასრი"). ჯ. ს-იდან განვითარდა *სტოიცი-ზმი*. სტოელებმა კინიკოსებისაგან აიღეს მსოფლიო სახელმწიფოს, საყოველთაო თა-ნასწორობის, კოსმოპოლიტიზმის იდეები.

შემეცნების ახსნაში კინიკოსებმა უარ-ყვეს სოკრატეს ზოგადის, გვარეობითი ცნებების თეორია და წინა პლანზე დააყე-ნეს ინდივიდუალურის, ერთეულადის მნი-შვნელობა, გააკრიტიკეს პლატონის იდე-ების თეორია.

ლიტ.: წ ე რ ე თ ე ლ ი ს., ანტიკური ფი-ლოსოფია, თბ., 1968; История философии, т. 1, М., 1940; Л у р ь е С. Я., Очерки по истории античной науки, М.—Л., 1947.

მ. ჭელიძე.

კინკანი (Fortunella), მარადმწვანე ხე-ების ან ბუჩქების გვარი ტეგანისებრთა ოჯახისა. მჭიდროდ დატოტვილი, 2—3 *მ* სიმაღლის მცენარეა. აქვს ვიწრო და წვე-ტიანი ფოთოლი, თეთრი ყვავილი, წვრი-ლი (2 *სმ*-მდე დიამეტრის), მოტკბო-მომჟა-ვო ნაყოფი. ყვავილობს ივლისში, ნაყოფი იანვარ-თებ-ში მწიფდება. მისგან ამზადე-ბენ მურაბას, იყენებენ საკონსერვო წარ-მოებაში და დეკორ. მიზნით. საქართვე-ლოში გავრცელებულია „ნაგამი", რ-იც დეკ-ში იკრიფება და კარგად ინახება, იჭ-მება კანიანად. *ი. ლეკვეიშვილი.*

კინო... (<ბერძნ. kineō — ვამოძრავებ, ვმოძრაობ), რთული სიტყვის ნაწილი, მიუ-თითებს კინემატოგრაფიასთან კავშირზე— მაგ., კინოხელოვნება, კინოთეატრი და სხვ.

კინოგადასალები აპარატი, კინოფილ-მის შესაქმნელად თანამიმდევრულ გამოსა-ხულებათა (კინოკადრების) სერიის სახით დროის გარკვეულ შუალედებს შორის კინო-ფირზე ობიექტების გადასაღები აპარატი (სქემა იხ. ნახ. 1-ზე). ჯ. ა. სხვადასხვაგვა-



ნახ. 1. სარკისსამიზნებლიანი კინოგადასაღები აპარატის პრინციპული სქემა: 1—გადასაღები ობ-იექტივი; 2—სარკისებრი ობტიურატორი; 3—კო-ლექტიური ლინზა; 4—სარკე; 5—სამიზნებელი— ლუპა; 6—მიმწოდი კასეტი; 7—მწეველი კბილა დოლი; 8—ზედა მარყუჟი; 9—კადრის სარკმელი; 10—ფილმის არხი; 11—ხტუნია მექანიზმი; 12— ქვედა მარყუჟი; 13—მაკავი კბილა დოლი; 14— მიმღები კასეტი.

რია: ფართოფორმატიანი ფილმების გადა-საღები აპარატი (კინოფირის სიგანე—70 *მმ*; ნახ. 2); ჩვეულებრივი, ფართოეკრანიანი და კაშეტირებული ფილმების გადასაღები აპარატი (ფირის სიგანე — 35 *მმ*; ნახ. 3 და ნახ. 4); სატელევიზიო, ქრონიკალურ-რი, სამეცნ., სასწავლო და კინომოყვარულ-თა ფილმების გადასაღები აპარატი (ფირის სიგანე — 16 *მმ*; ნახ. 5 და ნახ. 6); სასწავ-ლო და კინომოყვარულთა ფილმების გა-დასაღები აპარატი (ფირის სიგანე 8 ან 2× ×8 *მმ*; ნახ. 7).

დანიშნულებისა და კონსტრ. თავისებ-ურებების მიხედვით ჯ. ა. არის ხელისა და სტაციონარული. არის სხვა სახეობის



ნახ. 2. კინოგადასაღები აპარატი 70-სკ.



ნახ. 3. კინოგადასაღები აპარატი 3-კსმ „როდინა"



ნახ. 4. კინოგადასაღები აპარატი 1-კსრშ „კონვას ავტომატი".



ნახ. 5. კინოგადასაღები აპარატი 16-სპ.

ჯ. ა-ც. სინქრონული აპარატი (რ-იც იღებს გამოსახულებას მცირე ხმაურის პირო-ბებში, ამასთან ერთად, ე. ი. სინქრონუ-ლად, იწერს ბგერას ცალკეულ, უმეტესად მაგნ. ლენტზე), პ რ ე ც ი ზ ი უ ლ ი (იყენებენ კადრის ბიჯზე კინოფირის მა-ღალი სიზუსტით გადაადგილების პი-რობებში ორი და მეტი ექსპოზიციით *კომბინირებული კინოგადაღებისათვის*), ს პ ე ც ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი (პანორამული, წრერამული, სტერეოსკოპული და მისთ. ფილმების გადასაღები აპარატი), კ ი-ნ ო მ ო ყ ვ ა რ უ ლ თ ა დ ა ს პ ე ც ი ა-ლ უ რ ი (სწრაფმიმდინარე ან ხანმოკლე პროცესების სარეგისტრირებელი მაღალ-ჩქარული ან მაღალსიხშირული გადასა-ღები აპარატი, რ-საც იყენებენ აგრეთვე ავიაციაში და კოსმ. ფრენისას).

კინოგადასალები ობიექტივი, გადა-საღები ობიექტის გამოსახულების კინო-ფირზე მისაღებად განკუთვნილი ოპტი-კური სისტემა. ჯ. ო-ით მოცემული გამო-სახულების ხარისხის შესაფასებელი მთა-ვარი კრიტერიუმებია: ფოტოგრ. მკაფიო-ობის ძალა, გამოსახულების კონტრასტი და კადრის ველზე განათებულობის განა-წილება. ჯ. ო-ების გარჩევის ძალა უმე-ტესად 1 *მმ*-ზე ველის ცენტრში 45—55 ხა-ზია, კიდეებზე კი — 25—35 ხაზი. განა-თებულობა კადრის ველის კიდეებზე ცენ-ტრის მიმართ 40—70% შეადგენს. ჯ. ო. ძირითადად *ანასტიგმატების* ჯგუფს ეკუ-თვნის. კონსტრუქციულად ჯ. ო. წარმოად-გენს ბუდეს, რ-შიც ჩასმულია ერთი ან მთა-ვარი ოპტ. ღერძის მქონე 6—7 ლინზა და დიაფრაგმა. ჯ. ო-ის მახასიათებლებია: საფოკუსო მანძილი (f'), ფარდობითი ნახვრეტი ($1:n$) და მხედველობის არის კუთხე (2ω). კადრის ფორმატისა და კი-ნოფილმის დანიშნულების შესაბამისად ჯ. ო. არის ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი (რ-იც 3 სახისაა: ნორმალური — ძირითადი, მოკ-ლეფოკუსიანი — საერთო პლანის გადასა-ღები და გრძელფოკუსიანი — დაშორებუ-ლი ობიექტების გადასაღები), ფ ა რ თ ო-ე კ რ ა ნ ი ა ნ ი (რ-იც ჩვეულებრივი ფილმების გადასაღები ჯ. ო -ებისა და ანამორფოტული ოპტ. სისტემების შეთა-ვსებაა), ფ ა რ თ ო ფ ო რ მ ა ტ ი ა ნ ი, ვ ი წ რ ო ფ ი რ ი ა ნ ი 16 *მმ*-იანი (პროფე-სიული), კ ი ნ ო მ ო ყ ვ ა რ უ ლ თ ა (8 *მმ*-იანი ფილმების გადასაღებად). არის აგრეთვე სპეც. სახის ჯ. ო-ები (კომბინი-რებული კადრების, სტერეოსკოპული, პანო-რამული და სხვა ფილმების გადასაღებად).

კინოგადაღება, *ფილმის* შექმნაზე მუ-შაობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი, მხატვ-რულ-შემოქმედებითი და საწარმოო-ტექ-ნიკური პროცესი. ჯ. ხდება *კინოგადასა-ღები აპარატის*, ზოგჯერ კი სპეც. სამარ-ჯვების, აგრეთვე საოპერატორო ტრანს-პორტის მეშვეობით. ჭ-ისა და კინოფირის მომდევნო ლაბორ. დამუშავების შედეგად იღებენ გადასაღები ობიექტის მოძრაობის ან მისი მდგომარეობის შეცვლის თანამიმ-დევრული ფაზების ნეგატიური გამოსახუ-ლებების სერიას. ჭ. სხვადასხვაგვარია: საპავილიონო (გადაღება კინოსტუდიის სპეციალურად მოწყობილ პავილიონებში), გასვლითი (გადაღება კინოსტუდიის ფარ-გლებს გარეთ მდებარე სათავსებში) და ჯ. ნატურიდან. გადაღების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს განათებას, რ-იც საშუ-ალებას იძლევა გამოვლინდეს გადასაღე-ბი ობიექტის ფაქტურა, შეიცვალოს ტონა-ლობა, აისახოს სივრცე, მიღებულ იქნეს სპეც. ეფექტები. ტექნოლ. თვალსაზრი-სით ჯ. ორგვარია: სინქრონული (ბგერათ-ჩაწერასთან ერთად) და „მუნჯური" (წი-ნასწარი ან მომდევნო გახმოვანებით, ან ამის გარეშე).

კინოდანადგარი, კინოფილმის სადე-მონსტრაციო მოწყობილობის კომპლექსი. ექსპლუატაციის პირობების მიხედვით ჯ. არის სტაციონარული და გადასაძრავებე-ლი (*მოძრავი კინოდანადგარი*). ჯ. მოი-ცავს: 2 ან 3 *კინოსაპროექციო აპარატს*, ბგერათაღმწარმოებელი მოწყობილობის კომპლექტს (ხმამაღლამოლაპარაკეებით), ელექტროძალურ მოწყობილობას, დამხმა-რე მოწყობილობას (მაყურებელთა დარ-ბაზის განათების ჩართვისა და ამორთვი-სათვის, ეკრანის ფარდის სამართავად, კინოფირის გადასახვევად, *ფილმოსტატს*) და სხვ. ზოგიერთ კინოთეატრში დადგმუ-ლია კინოფილმის დემონსტრირების პრო-ცესის ავტომატიზაციის აპარატურა. XX ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან კინო-თეატრებში დგამენ ფართოფორმატიანი სტერეოფონური კინოფილმების სადემონს-ტრაციო აპარატურას. ჭ-ს ემსახურება სპე-ციალისტ-კინომექანიკოსი, მოწყობილობის რთული კომპლექსის მქონე კინოთეატრის ჭ-ს კი — ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონა-ლი. ჯ. წარმოადგენს აღრიცხვის ძირითად ერთეულს კინოფიკაციის სისტემაში.

კინოდრამატურგია, ლიტერატურული და კინემატოგრაფიული შემოქმედების დარგი. კინოდრამატურგიული ნაწარმოები, ს ც ე ნ ა რ ი წარმოადგენს ფილმის იდე-ურ-მხატვრულსა და ლიტ. საფუძველს. ჭ-ის ორმხრივი (ლიტ., კინემატოგრაფიული) ბუნების გამო სცენარიც ორი სახისაა: 1. ლიტ. ნაწარმოები, რ-იც ფილმის საფუ-ძველია, მაგრამ დამოუკიდებელი მხატვ-რული ღირსებაც აქვს და 2. ლიტ. მასალა

კინკანი „ნაგამი". ნაყოფ-ბიანი ტოტი.



ნახ. 6. კინოგადასაღები აპარატი „კრასნოგორსკი".



ნახ. 7. კინოგადასაღები აპარატი „კვარც-5".

კინოკომედია. კადრი ფილმიდან „ქეთო და კოტე". რეჟისორები ვ. ტაბლიაშვილი, შ. გედევანიშვილი. 1953.

ანუ თხრობა ჩანაფიქრისა, რ-იც გადმოგვცემს მომაჯალი ფილმის შინაარსსა და კონსტრუქციას. სცენარის ხარისხს განსაზღვრავს კ-ის მონტაჟურ-პლასტ. აზროვნების, სცენარის შემადგენელი ნაწილების — რემარკების, დიალოგის, სადიქტორო ტექსტის, წარწერების და ა. შ. შექმნის უნარი. ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში „მუნჯი" კინოს ოსტატები ძირითადად ცნობილ ლიტ. სიუჟეტებსა და პერსონაჟებს მიმართავდნენ, შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 20-იან წლებში, კ-მ უკვე საკუთარი ფორმები შეიმუშავა; კინოს გახმოვანების შემდეგ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ცოცხალ სიტყვას, აქედან გამომდინარე კი — დიალოგს, როგორც ხასიათის გახსნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. თანამედროვე კ-ის ჩამოყალიბება რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი იყო. მასში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალი კინოდრამატურგები (ნ. ზარხი, ა. რჟეშევსკი), ისე აღიარებული მწერლები და დრამატურგები (ვ. მაიაკოვსკი, ს. ტრეტიაკოვი, ნ. პოგოდინი) და კინორეჟის. ორები (ს. ეიზენშტეინი, ვ. პუდოვკინი, ა. დოვჟენკო, დ. გრიფითი, ჩ. ჩაპლინი, მ. ანტონიონი).

ქართ. კ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით შ. დადიანს, გ. მდივანს და სხვ. თანამედროვეთაგან ს. ჟღენტს, მ. ელიოზიშვილს, რ. გაბრიაძეს, ლ. ჭელიძეს და სხვ. კინოსტუდია „ქართულ ფილმში" 1973-იდან შექმნილია კინოდრამატურგთა გაერთიანება (ხელმძღვ. რ. თაბუკაშვილი).

ლიტ.: Вайсфельд И. В., Новая область литературы, М., 1970; Туркин В., Драматургия кино, М., 1938.

გ. დოლიძე.

კინოთეატრი, საზოგადოებრივი ნაგებობა (ან მისი ნაწილი), რ-იც კინოფილმების სადემონსტრაციო აპარატურით არის აღჭურვილი. თავდაპირველად ფილმებს უჩვენებდნენ კაფეებსა და ბაზრობებზე. პირველი სტაციონარული კ. მოაწყვეს კინემატოგრაფიის გამომგონებლებმა ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლიუმიერებმა პარიზში (1895). რუსეთში კინოფილმების პირველი დემონსტრაცია მოეწყო 1895 საზაფხულო ბაღებში „აკვარიუმი" (პეტერბურგი) და „ერმიტაჟი" (მოსკოვი). თბილისში პირველი კინემატოგრაფიული სეანსი ჩატარდა სათავადაზნაურო თეატრში (1896 წ. 16 ნოემბ.). რევოლუციამდელ რუსეთში დაახლოებით 1500 კ. იყო; საქართველოში თითქმის ყველა მნიშვნელოვან დაბა-ქალაქს ჰქონდა თავისი კ. ქუთაისში 1912 სამი კ. იყო; „მონპლეზირი" (ახლანდ. „დამკვრელი"), „თამარი" (ახლანდელი ვ. კიკვიძის სახ. კლუბი) და „რადიუმი" (ახლანდ. „კომუნა"). ეს უკანასკნელი დაამონტაჟა 1912 ვ. ამაშუკელმა და აქვე უჩვენა თავისი პირველი ქართ. სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური კინოსურათი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რ-საც ესწრებოდა თვით აკაკი წერეთელი. სსრკ-ში დაახლ. 13000 კ-ია. 1977 ჩვენს ქვეყანაში 153 100 კინოდანადგარი იყო. საუკეთესო საბჭ. კ-ებია: 2500-ადგილიანი „როსსია" (1961, არქიტ. ი. შევერდიაევი) მოსკოვში, „პიონერის" (1961, არქიტ. ი. პეტერსონი) რიგაში და სხვ. საქართველოში საუკეთესო კ-ია 868-ადგილიანი „რუსთაველი" (1939, არქიტ. ნ. სევერეი) თბილისში. ქუთაისში ორდარბაზიანი ფართოფორმატიანი კ. (1050-ადგილიანი) „საქართველო" (1977, არქიტ. დ. ნაცვლიშვილი). *გ. დოლიძე.*

კინოთი, სოფელი ზესტაფონის რ-ნში (კლდეეთის სოფსაბჭო), მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 560 *მ*, ზესტაფონიდან 10 *კმ*. ტაბაკინის ფ. მახარაძის სახ. კოლ-ბა (მევენახეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ზედა კლდეეთში (3 *კმ*).

კინოკომედია, კინემატოგრაფიული ნაწარმოები, რ-შიც ასახულია ცხოვრებისეული შეუსაბამობებზე აგებული სასაცილო სიტუაციები და ხასიათები. არსებობს კ. ლირიკული, სატირული, ექსცენტრიკული, ვოდევილური, ფანტასტიკური და ა. შ. საბჭ. კ. პირველი ნაბიჯებიდანვე აქტუალურ, ცხოვრებისეულ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სოც. მორალურ პრობლემებს დაუკავშირდა. ამის საუკეთესო ნიმუშებია ი. პროტაზანოვის, გ. დანელიას, ე. რიაზანოვის კომედიები. კ-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანაში გამოჩნდნენ მსახიობები, რ-თაც ეროვნ. კომიკური სახეები შექმნეს და შემდეგ საერთაშ. აღიარებაც მოიპოვეს. ესენი არიან: მ. ლინდერი, ჩ. ჩაპლინი, პ. კიტონი, ტოტო, ფერნანდელი, ა. სორდი, ნ. უიზდომი, ი. ილინსკი; საქართველოში — ა. ჟორჟოლიანი, ა. კვანტალიანი, ი. ხვიჩია და სხვ.

ქართ. კინომ წინა პლანზე წამოწია კომედიის სოც. მოტივი და წარმოაჩინა სწორი იდეური მიზანდასახულობა და სიმახვილე. კომიზმის საფუძველი მან დაინახა ახ. და ძვ. ცხოვრების ბრძოლაში, რ-იც ახლის ძლევამოსილი გამარჯვებით მთავრდება. ქართვ. საბჭ. კომედიოგრაფიების პირველსავე ფილმებში (მ. გელოვანის „ახალგაზრდობა იმარჯვებს", კ. მიქაბერიძის „ბებიაჩემი", ს. ფალავანდიშვილის „ჟუჟუნას მზითევი", დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე" და სხვ.) გამოვლინდა მათი ავტორების ხალასი კომედიური ნიჭი, სატირული სიმახვილე და მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი.

თანამედროვე კ-ებიდან აღსანიშნავია: მ. კობახიძის „ქორწილი", „ქოლგა", ნ. მჭედლიძის „პირველი მერცხალი", ვ. კვაჭაძის „ღვინის ქურდები" და სხვ.

ლიტ.: Юренев Р. Н., Советская кинокомедия, М., 1964. *გ. დოლიძე.*

კინოლოგია (ბერძნ. kyōn, ნათ. ბრ. kynos—ძაღლი და ...ლოგია), მეცნიერება ძაღლების შესახებ. კ. სწავლობს ძაღლის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, შინაური ძაღლების ჯიშების წარმოშობასა და ევოლუციას, მომრავლებასა და სელექციას, კვებას, შენახვას, წვრთნას და მათ გამოყენებას სანადირო, სადარაჯო, სამუშაო, სამძებრო დანიშნულებით, აგრეთვე დეკორ. მიზნებისათვის. კ. თანამედროვე მეძაღლეობის საფუძველია. სსრკ-ში კ. ისწავლება უმაღლესი და საშ. სასწავლებლების ნაღირთმცოდნეობის ფაკ-ტებზე. კ-ის დარგში სამეცნ.-კვლ. მუშაობას ატარებს სამონადირეო მეურნეობისა და მემზეცეობის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. დიდ კინოლოგიურ მუშაობას ეწევა დოსააფის სამსახურებრივი მეძაღლეობის კლუბები და მონადირეთა საზ-ბის კ-ის სექციები.

კინომოყვარულობა, თვითმოქმედებითი ხელოვნების დარგი, რ-იც კინემატოგრაფიის აღმოცენებასთან ერთად განვითარდა და გაერცელდა. 1925 მოსკოვში შეიქმნა საბჭ. კინოს მეგობართა საზ-ბა. ნამდვილი ორგანიზაციული ხასიათი კ-ს მიეცა 1957, როცა სსრკ-ის კინემატოგრაფისტთა კავშირში ჩამოყალიბდა კინომოყვარულებთან მუშაობის საკავშ. კომისია. ასეთი კომისია დაარსდა საქართველოშიც (თავ-რე საქ. სსრ სახ. არტისტი, კინორეჟისორი ნ. სანიშვილი). 1957-იდან ტარდება მოყვარულთა ფილმების საკავშ. დათვალიერება. 1961 საბჭ. კინომოყვარულები გაერთიანდნენ კინომოყვარულთა საერთაშ. ასოციაციაში. ბევრი კინომოყვარული წარმატებით მოღვაწეობს პროფ. კინემატოგრაფიაში.

კინოფრეფენელობა, მოიცავს კინოპირგადასაღებ და კინოტექნიკურ მრეწველობას, აგრეთვე კინოფირის წარმოებას. კინოპირგადასაღები კინოსაკოპიო მრეწველობა ბეჭდავს კინოფილმების პირებს, კინოდანადგარებზე მათი შემდგომი დემონსტრირებისათვის. ისინი მასობრივად იბეჭდება სპეციალიზებულ პირგადასაღებ ფ-კებში. პირველი ასეთი ფ-კა სსრკ-ში ლენინგრადში ამუშავდა 1930. მომდევნო წლებში — მოსკოვში, კიევში, ხარკოვსა და ნოვოსიბირსკში.

ჩვენს რესპუბლიკაში ადგილ. კინოგაქირავების საჭიროებისათვის ქართ. დოკუმენტური ფილმებისა და ქართ. ენაზე სხვა ენებიდან დუბლირებული ფილმის პირებს მცირე ტირაჟით ბეჭდავს (წლიურად — დაახლ. 500 ათ. *მ*) კინოსტუდია „ქართული ფილმის" ფირის დამუშავების საამქრო.

კინოტექნიკური მრეწველობა, უშვებს კინოფილმების შექმნისათვის, ფილმის პირების მასობრივი ბეჭდვისა და მათი დემონსტრირებისათვის საჭირო კინოაპარატურასა და ტექნოლ. მოწყობილობას. ამ დარგის საწარმოები უშვებენ პროფ. და მოყვარულთა კინემატოგრაფიისათვის კინოგადაღლებ, კინოსაპროექციო და ხმის ჩამწერ აპარატურას, ობიექტივებს, ვიდეომაგნიტოფონებს, გამოსამჭღავნებელ მანქანებს, სამონტაჟო მაგიდებს, კინოტექ. მოწყობილობას და სათადარიგო ნაწილებს.

რევოლუციამდელ რუსეთში კინოტექ. მრეწვ. თითქმის არ არსებობდა. კინოფილმების წარმოების, ტირაჟირებისა და დემონსტრირებისათვის საჭირო მთელი მოწყობილობა საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ. სამამულო კინოტექ. მრეწველობას მხოლოდ ოქტ. სოციალ. რევ. შემდეგ (1919) ჩაეყარა საფუძველი. 1923 ლენინგრ. ოპტ.-მექან. ქ-ნაში გამოუშვეს პირველი კინოპროექტორი (ტიპ-4). 1926 დაიწყო სტაციონარული კინოპროექტორის გამოშვება და მისი მასობრივი წარმოება. 30-იან წლებში ხმოვანი ფილმების შექმნაზე გადასვლა უშუალო წინაპირობა იყო კინოტექ. მრეწველობის, როგორც სპეციალიზებული დარგის, წარმოშობისათვის. 1936 შეიქმნა ლენინგრ. ოპტ.-მექან. ქ-ნა. 70-იანი წლებიდან სამამულო კინოტექ. პროდუქციის ძირითადი მწარმოებლებია საწარმოო გაერთიანება „ეკრანი" და ლენინგრ. ოპტ.-მექან. გაერთიანება, აგრეთვე, კიევის, ოდესისა და სამარყანდის კინოტექ. საწარმოები.

მოძმე სოციალ. ქვეყნებს შორის კინოტექ. მრეწვ. განვითარებულია გდრ-სა და ჩეხოსლოვაკიაში. კაპიტალ. ქვეყნებიდან მძლავრი კინოტექ. მრეწვ. აქვს აშშ-ს. კინოტექ. მრეწვ. ფართოდაა განვითარებული აგრეთვე გფრ-ში, იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და იტალიაში.

კინოფირის წარმოება სსრკ-ში ხორციელდება ქიმ.-ფოტოგრ. მრეწვ. საწარმოებში. 1927 სსრკ-ში დაარსდა ფოტოქიმიურ-ლადის გამომშვები საწარმოები. პირველი სამამულო კინოფირი 1931 მიიღეს. კინემატოგრაფიის სწრაფმა განვითარებამ აუცილებელი გახადა არსებული ფ-კების გაფართოება და ახ. ფ-კების მძენებლობა (მაგ. 1936 ახ. ფ-კა აშენდა ყაზანში). კინოფირის წარმოების ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა მისი ასორტიმენტი და უმჯობესდებოდა ხარისხი. სსრკ-ში აითვისეს ფერადი კინოფირის გამოშვება. სსრკ ქიმ.-ფოტოგრ. მრეწვ. ამჟამად უშვებს 100-ზე მეტი დასახელების შავ-თეთრ და ფერად კინოფირს. 1970 კინოფირის გამოშვება 4-ჯერ გაიზარდა. კინოფირის წარმოების მოცულობის მიხედვით სსრკ-ს მე-2 ადგილი უკავია მსოფლიოში (აშშ-ის შემდეგ). *ჯ. ბარამიძე.*

კინოფუსიკა, კინოწარმოების ერთ-ერთი კომპონენტი, მისი ერთ-ერთი გამომსახველობითი საშუალება. თავდაპირველად, მუნჯ კინემატოგრაფში, მუსიკას იყენებდნენ აკომპანემენტად ფილმის დემონსტრაციის დროს. უკვე ამ პერიოდში გაჩნდა მოთხოვნილება, შეექმნათ თითოეული ფილმისათვის ორიგინ. მუსიკა (სენ-სანსის მუსიკა ფილმისათვის „პერცოგ გიზის მკვლელობა", 1908, და სხვ.). ხმის ჩამწერი აპარატის გამოგონებასთან დაკავშირებით (1920-იანი წწ. დასასრ. — 1930 -იანი წწ.

დასაწყ.) თითოეული ფილმისათვის საკუთარი ფონოგრამა შეიქმნა. მუსიკა გახდა კინონაწარმოების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. კინოს გახმოვანების დასაწყისიდან ფილმის მუსიკა ორად გაიყო: შიდასაკადრო, კონკრეტულ, მოტივირებულ მუსიკად (კადრში გამოსახული საკრავის, რადიორეპროდუქტორის ჟღერა, მოქმედი პირის სიმღერა და ა. შ.) და კადრსმიღმა, „ავტორისეული", „პირობით" მუსიკად, რ-იც გამოხატავს სიუჟეტის ფარულ განვითარებას, ხსნის ფილმის იდეას, ფილმში მომხდარ მოვლენებს. 1930-იან წლებში მოქმედი პირის მუს. დახასიათების პოპულ. ფორმად იქცა სიმღერა. ამ სახის ჰ-ის კლასიკური ნიმუშები შექმნა ი. დუნაევსკიმ (მუსიკა, სიმღერები ფილმებისათვის „ბრიანული ახალგაზრდობა", 1934; „ვოლგა-ვოლგა", 1938 და სხვ.). ფილმის გაფორმების ეს ტრადიცია განვითარეს კომპოზიტორებმა: ძმებმა დანიელ და დიმიტრი პოკრასებმა, ტ. ხრენიკოვმა, ნ. ბოგოსლოვსკიმ, ა. ეშპაიმ, ა. პახმუტოვამ, ა. პეტროვმა, ვ. ბასნერმა; ქართ. კინოფილმებში — ა. კერესელიძემ, რ. ლაღიძემ, გ. ცაბაძემ და სხვ. ჰ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს დ. შოსტაკოვიჩმა, ს. პროკოფიევმა, ი. შაპორინმა და სხვ. აღსანიშნავია კომპოზიტორ ს. პროკოფიევისა და რეჟ. ს. ეიზენშტეინის ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობა ფილმის მხედველობით-მუს. აღქმის პრობლემებზე. კომპოზიტორების, მომღერლების, მუსიკოსებისადმი მიძღვნილ მუს. ფილმებში მუსიკა ასრულებს გარკვეულ დრამ. ფუნქციას. მუსიკა აუცილებელი კომპონენტია მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმებისათვის. მულტიპლიკაციურ კინოს მუს. გაფორმების საკუთარი კანონები აქვს, ყველაზე გავრცელებულია გამოსახულებისა და მუსიკის ზუსტი პარალელიზმი, როცა მელოდია იმეორებს ან ბაძავს ეკრანის მოძრაობებს (მიღებული ეფექტი შეიძლება იყოს პაროდიულიც და ლირიკულიც). ამ მხრივ გამოირჩევა ამერ. კინორეჟისორის უ. დისნეის ფილმები, განსაკუთრებით მისი სურათები სერიიდან „გასართობი სიმფონიები" („ჩონჩხების ცეკვა", სენსანსის სიმფ. პოემის მუსიკაზე). თანამედროვე კინემატოგრაფში ჰ-ს ფილმის სხვა კომპონენტების თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ხშირად კინონაწარმოების იდეურ-თემატური ჩანაფიქრის გასაღებია.

ლიტ.: Корганов Т., Флоров И., Кино и музыка, М., 1964; Фрид Э., Музыка советского кино, Л., 1967.

კინომცოდნეობა, მეცნიერება, რ-იც შეისწავლის კინოხელოვნების სპეციფიკას, ფილმის საზოგადოებრივი ბუნების კანონზომიერებებს. კ-ში შედის: კინოკრიტიკა, კინოს თეორია და კინოს ისტორია, აგრეთვე ფილმოგრაფია, როგორც დამხმარე დარგი. სოციალ. ქვეყნებში კ. მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას ეყრდნობა, მისი საერთო დებულებებით ხელმძღვანელობს და შეისწავლის კინოს სპეციფ. კანონებს. თანამედროვე კ. განსაკუთრებით დავალებულია რუს. პროგრ. აზრისაგან, რ-ის საუკეთესო წარმომადგენლებმა (მ. გორკი, ვ. სტასოვი, ლ. ტოლსტოი და სხვ.) იმთავითვე აღიარეს კინემატოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი ხელოვნების, დიდი მომავალი. განსაკუთრებით ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1907 განჭვრიტა კინოს უდიდესი მნიშვნელობა ხალხთა ფართო მასების აღზრდისა და განათლებისათვის. ამავე ხანებში ჩაეყარა საფუძველი კინემატოგრაფიის ლენინისეულ კლასიკურ შეფასებას: „ხელოვნების ყველა დარგიდან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია კინო". საბჭ. ჰ-ის განვითარებაში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით როგორც პოლიტ. მოღვაწეებს (ა. ლუნაჩარსკი), ისე ცნობილ კინორეჟისორებს (ლ. კულეშოვი, ს. ეიზენშტეინი), მწერლებს (ვ. მაიაკოვსკი, ვ. შკლოვსკი), სცენარისტებს (ნ. ზარხი, ვ. ტურკინი). 20-იან წლებშივე გამოჩნდნენ პირველი პროფესიონალი კინომცოდნეები — ნ. ლებედევი, ი. სოკოლოვი და სხვ.

განსაკუთრებული აღმავლობა დაეტყო საბჭ. ჰ-ს 50-იან წლებში, როცა საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი კინომცოდნეების იდეურ-თეორ. დონე, ცნობილი საბჭ. კინომცოდნეები და კინოისტორიკოსები არიან: მ. ბლეიმანი, ს. გინზბურგი, კ. გოგოძე, ს. დრობაშჩენკო, ი. ვაისფელდი, ნ. ზორკაია, რ. იურენევი, ა. კარაგანოვი და სხვ.

თანამედროვე საბჭ. ჰ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კინოს საერთო იდეურ-ესთეტ. პრობლემებს. სსრკ-ში ჰ-ის საკითხებზე მუშაობს რამდენიმე სასწავლო და სამეცნ. დაწესებულება, კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტი, მომძე რესპუბლიკებში — ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტები და სხვ. საზღვარგარეთულ ჰ-ში ორი ურთიერთსაპირისპირო სოც.-იდეოლოგიური თვალსაზრისის ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს: პირველი იკვლევს კინოხელოვნებას, როგორც საზ. ცნობიერების სპეციფ. ფორმას; მეორე კი ცდილობს ფილმი წარმოგვიდგინოს სტანდარტულ კომერც. სანახობად და გამოიმუშაოს მისი შექმნისა და მასობრივი მოხმარების ოპტიმალური პირობები. II მსოფლიო ომის შემდეგ იტალ. კინომცოდნეებმა (უ. ბარბარო, ლ. კიარინი, გ. არისტარკო) საბჭ. კინოს გამოცდილების საფუძველზე დაიწყეს კინორეალიზმის კანონების შესწავლა და სოციალურად აქტ. კინოხელოვნების — ნეორეალიზმის —პრინციპების პროპაგანდა. ჰ-ის საკითხებზე საყურადღებო ნაშრომები ეკუთვნით კინომცოდნეებს: ჟ. სადულს (საფრანგეთი), ჯ. ლოუსონს (აშშ), ა. მონტეგიუს (დიდი ბრიტანეთი). პ. ბაშლენს (საფრანგეთი) და სხვ. საბჭ. კინოს პროპაგანდას საზღვარგარეთ ხელი შეუწყო ჯ. ლეიდას (აშშ) ნაყოფიერმა მუშაობამ. თანამედროვე ჰ-ში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოციალ. ქვეყნების კინომცოდნეებმა ბ. ბალაჟიმ (უნგრეთი), ე. ტეპლიცმა (პოლონეთი), ლ. ლინგგარტმა (ჩეხოსლოვაკია) და სხვ.

1970 საქართველოშიც შ. რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტში შეიქმნა სამეცნ.-კვლ. სექტორი (ნ. ამირეჯიბი, ო. თაბუკაშვილი, კ. წერეთელი, გ. დოლიძე, რ. თიკანაძე, ი. კუჭუხიძე და სხვ.), რ-მაც 1979 გამოსცა სახელმძღვანელო „ქართული მხატვრული კინემატოგრაფიის ნარკვევები".

ლიტ.: დოლიძე გ., ვ. ი. ლენინი და კინოს საკითხები, თბ., 1974; კანდელაკი დ., კინოხელოვნება, თბ., 1957; История советского кино. 1917—1967, т. 1—4, М., 1969—78; Садуль Ж., История киноискусства от его зарождения до наших дней, пер. с франц., М., 1957.

გ. დოლიძე.

კინოპირგადასალები აპარატი, კინოფირზე გამოსახულებისა და ფონოგრამის საბეჭდი აპარატი. ბეჭდვის ხერხის მიხედვით ჰ. ა. არის კონტაქტური (ექსპონირების დროს კინოფირები მჭიდროდ მიჭერილია ერთმანეთთან) და ოპტიკური (პირგადასაღებ გამოსახულებას ოპტ. სისტემით აპროექციებენ კინოფირის შუქმგრძნობიარე შრეზე). ოპტ. ჰ. ა. 1 : 1 მასშტაბით პირგადაღების გარდა საშუალებას იძლევა გადატანილ იქნას გამოსახულება ერთი ფორმატიდან მეორეზე (მაგ., 35 *მმ*-იანი კინოფირიდან 16 და 8 *მმ*-იან კინოფირზე და პირიქით), აგრეთვე დამზადდეს კომბინირებული გამოსახულებები, ჩაიბეჭდოს კადრში წარწერები და ა. შ. გამოსახულების ბეჭდვა შეიძლება წყვეტილად (ნახ.) ან უწყვეტად (კინოფირების მოძრაობის პროცესში). ფონოგრამები ყოველთვის იბეჭდება კინოფირების უწყვეტი მოძრაობისას. შესაძლო ექსპოზიციათა რიცხვი ჰ. ა-ების უმრავლესობისათვის 20-ის ტოლია, მწარმოებლურობა—2 კადრიდან *წმ*-ში რამდენიმე ათასეულ *მ/სთ*-მდე.



კინოჟურნალი, პერიოდული კინოგამოშვება, რ-იც ინფორმაციული ხასიათის მასალას გვაწვდის როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე. პირველი საბჭ. ჰ. იყო „კინონედელია" (1918 წ. 1 ივნ-იდან). ამჟამად სსრკ-ში იღებენ 50-ზე მეტ ჰ-ს. ქართ. ჰ-ებიდან აღსანიშნავია „საბჭოთა საქართველო", რ-იც ყოველთვიურად გამოდის. კაპიტალ. ქვეყნების ჰ-ებში ძირითადი ადგილი უკავია სავაჭრო რეკლამას, სენსაციურ ამბებს.

გ. დოლიძე.

კინორინქები (Kinorhyncha), ზღვის ჭიების კლასი. მათი 0,1—1 *მმ*-მდე სიგრძის სხეული დანაწევრებულია სეგმენტებად და მოფენილია ქაცეებით ან კაუჭებით. კან-კუნთოვანი პარკი არა აქვთ. ნაწლავი მარტივი მილია. ნერვული სისტემა ხახისირგვლივი რგოლისა და მუცლის ძეწკვებისაგან შედგება. გრძნობის ორგანოებია 1—2 წყვილი პატარა პიგმენტური თვალუკი და მგრძნობიარე ჯაგარი. სისხლის მიმოქცევის სისტემა არა აქვთ. გამომყოფ სისტემას 1 წყვილი პროტონეფრიდია შეადგენს. ცალსქესიანი ცხოველებია, რ-თა განვითარება *მეტამორფოზით* ხდება. კლასში 1 რიგის 30-ზე მეტი სახეობაა. ფართოდ არიან გავრცელებული; სსრკ-ში გვხვდება შავი, ბალტიის, ბერინგისა და შორეული აღმოსავლეთის ზღვების სანაპირო ზოლში დაახლ. 400 *მ* სიღრმეზე, იკვებებიან ერთუჯრედიანებით და *დეტრიტით*.

კინოსაპროექციო აპარატი, კინოპროექტორი (*კინო*... და ლათ. projicio — ვაგდებ წინ), ეკრანზე კინოფილმების დასაპროექციებელი აპარატი. ჰ. ა-ის ძირითადი ელემენტებია: ლენტსაწევი მექანიზმი (უზრუნველყოფს კინოფირის მოძრაობას); მიმწოდი და მიმღები კასეტები (კინოფილმების ავტომ. ჩვენების დროს კასეტების ნაცვლად შეიძლება არაგადასახვევი მოწყობილობის გამოყენება); ეკრანის გასანათებელი და გამოსახულების დასაპროექციებელი სისტემა; ბგერათამყოლი, ელექტრული კვებისა და აპარატის მუშაობის მართვის მოწყობილობები. ჰ. ა-ში კინოფირი წყვეტილად მოძრაობს მალტური ან გრაიფერული მექანიზმის მეშვეობით. ფანჯარაში კინოკადრის გაჩერების დროს ხდება მისი ეკრანზე დაპროექციება (ნახ. 1). კადრობრივი გადაადგილების დროს ხდება სინათლის ნაკადის გადახურვა სპეც. საკვალთით — ობტურატორით, რ-იც წყვეტილი მოძრაობის



მექანიზმთან სინქრონულად მუშაობს. ამის გამო მაყურებლისათვის კადრის გარკვეული სიჩქარით მოძრაობა შეუმჩნეველი რჩება.

პროფ. კინემატოგრაფიის ყველა ჰ. ა. განკუთვნილია ხმოვანი ფილმების სადეგამოსახულების კონტაქტური ბეჭდვის კინოპირგადასაღები აპარატის ლენტსაწევი მექანიზმის ტიპობრივი პრინციპული სქემა ბეჭდვის ადგილზე კინოფირების წყვეტილი მოძრაობის პირობებში: 1—ნეგატიურგამოსახულებანი კინოფირი; 2,8—კინოფირის რულონები; 3—კინოფირის მწყვეული კბილა დოლი; 4, 6—კინოფირის მარგუნები; 5—ფილმის არხი; 7—კინოფირის მაკავი კბილა დოლი; 9—არაექსპონირებული კინოფირის რულონი; 10—გრაიფერის მექანიზმის კბილი კინოფირების წასაწევად; 11—კონტრგრაიფერის კბილი, რომელიც აფიქსირებს კინოფირს ბეჭდვის მომენტში; 12 — ექსპოზიციის დროს კინოფირების ერთმანეთზე მისაჭერი მუულსავი ჩარჩო; 13—ობტიურატორი, რომელიც გადახურავს შუქს კინოფირის წაწევის დროს.

კინორინქები. კინორინქი Semnoderes armigera.

კინოსაპროექციო აპარატი. ნახ. 1, გასანათებელ-საპროექციო სისტემის სქემა: 1—სინათლის წყარო; 2—ამრეკლი; 3 კადრის ფანჯარა; 4—ობტიურატორი; 5—საპროექციო ობიექტივი; 6—ეკრანი.



კინოსაპროექციო აპარატი. ნახ. 2. 8 მმ-იანი კინოფილმების სადემონსტრაციო პორტატიული კინოსაპროექციო აპარატი „რუს".



კინოსაპროექციო აპარატი. ნახ. 3. 16 მმ-იანი კინოფილმების სადემონსტრაციო სტაციონარული კინოსაპროექციო აპარატი „ჩერნომორეცი".



კინოსაპროექციო აპარატი. ნახ. 4. 35 მმ-იანი კინოფილმების სადემონსტრაციო სტაციონარული კინოსაპროექციო აპარატი „კინონო—1".



კინოსაპროექციო აპარატი. ნახ. 5. 35-70 მმ-იანი კინოფილმების სადემონსტრაციო სტაციონარული კინოსაპროექციო უნივერსალური აპარატი.

მონსტრაციოდ, ხოლო მოყვარულთა კინემატოგრაფიის კ. ა-ით (ნახ. 2) აპროექციონებენ არახმოვან 8 *მმ*-იან კინოფილმებს. ასეთ ფილმებს ახმოვანებენ მაგნიტოფონითა და მასინქრონიზებელი მოწყობილობით.

საექპლუატაციო პირობების მიხედვით განასხვავებენ სტაციონარულსა და გადასაძრავ კ. ა-ებს. სტაციონარულს (ნახ. 3, ნახ. 4) აყენებენ სპეც. კინოსააპარატო სათავსში, გადასაძრავს (უმეტესად პორტატიულს) იყენებენ *მოძრავ კინოდანადგარში* ვიწროფირიანი (16 *მმ* და 8 *მმ*-იანი) ფილმების საჩვენებლად.

კინოკადრის ფორმატის მიხედვით კ. ა. არის: 35 *მმ*-იანი ჩვეულებრივი ან ანამორფირებული გამოსახულების კინოფილმებისათვის (ნახ. 4); 70 *მმ*-იანი ფართოეკრანიანი ფილმებისათვის და ვიწროფირიანი (16 და 8 *მმ*-იანი) კინოფილმებისათვის. ამზადებენ აგრეთვე უნივერსალურ, სპეციალურ, წრიულ-პანორამულ, სტერეოსკოპულ და სხვა კინოფილმების კ. ა-ებს (იხ. *კინოტექნიკა*). უნივერს. კ. ა-ს (ნახ. 5) აყენებენ დიდი ტევადობის (6000-მდე მაყურებელი) სადემონსტრაციო დარბაზებში. ასეთი აპარატით შეიძლება 35 *მმ*-იანი და 70 *მმ*-იანი ფილმების ჩვენება.

კინოსაპროექციო ეკრანი, კინოკადრების გამოსახულებათა დასაპროექციებელი ბრტყელი ან მრუდხაზოვანი ზედაპირი, რ-ის ყოველი უბნიდან არეკვლილი (გაბნეული) სინათლის სხივები მიმართულია მაყურებლისაკენ. ყველა მიმართულებით სინათლის ერთნაირი გაბნევის დროს კ. ე-ის სიკაშკაშე ერთნაირად აღიქმება კინოდარბაზის ნებისმიერ წერტილში. გამოსახულების სიკაშკაშე განპირობებულია კ. ე-ის შუქტექ. მახასიათებლებითა და *კინოსაპროექციო აპარატის* მარგი სინათლის ნაკადის სიდიდით. კ. ე-ის ერთ-ერთი უმთავრესი შუქტექ. მახასიათებელია სიკაშკაშის კოეფიციენტი, რ-იც ერთნაირი განათებულობის პირობებში ეკრანის ზედაპირის სიკაშკაშისა და აბსოლუტურად თეთრი ზედაპირის სიკაშკაშის ფარდობის ტოლია. მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რ-იც განსაზღვრავს ეკრანის შუქგაბნევას, არის გაბნევის კუთხე (ე. ი. ის ზონა, რ-ის ფარგლებში სიკაშკაშის კოეფიციენტი 0,5-ზე ნაკლები არ არის). კინოპროექციის ხერხების მიხედვით კ. ე. არის სინათლის ამრეკლი და სინათლის გამტარი. სინათლის ამრეკლი ეკრანის ზედაპირი გაუმჭვირია და გამოსახულებას მაყურებელი ხედავს იმავე მხრიდან, საიდანაც ხდება კინოფილმის დაპროექციება. სინათლის გამტარი ეკრანის ზედაპირი ნახევრად გამჭვირვალეა. კინოფილმის დაპროექციება ხდება ეკრანის უკანა მხრიდან. გავრცელებულია სინათლის ამრეკლი ეკრანები. სინათლის გაბნევის უნარის მიხედვით განასხვავებენ დიფუზიურ-გამბნევ (თეთრ-მქრქალ) და მიმართულად გამბნევ ამრეკლ ეკრანებს. სინათლის ამრეკლი ეკრანებისათვის მასალად იყენებენ თეთრი პიგმენტით დაფარულ ქსოვილს ან პლასტიკატს, რ-ის ზედაპირს ტვიფვრით სპეც. პროფილს ანიჭებენ, მოლითონებულ (დაალუმინებულ) ან ლაქწასმულ ფლუგ პლასტიკატს და სხვ. სტერეოპროექციისათვის იყენებენ რასტრულ კ. ე-ს.

სინათლის გამტარ ეკრანებს იყენებენ ძირითადად დღის სინათლის კინოდანადგარებზე ან ისეთ დარბაზებში, სადაც ხელოვნური განათებაა, აგრეთვე რირპროექციისათვის (კინოგადაღების დროს).

ლიტ.: Голдовский Е. М., Основы кинотехники, М., 1965 (ბიბლიოგრ.).

კინოსაპროექციო ობიექტივი, კინოფილმის კადრის გადიდებული გამოსახულების ეკრანზე მისაღები ოპტიკური სისტემა. კ. ო-ის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია *გარჩევის უნარი*. კ ო-ის ტექ. მახასიათებლებია: საფოკუსო მანძილი (f'), ფარდობითი ხვრელი ($1:n$) და გამოსახულების ველის კუთხეები ($2\omega'$): დანიშნულების მიხედვით კ. ო. სხვადასხვა სახეობისაა: ჩვეულებრივი კინოფილმების საჩვენებელი [4- და 6-ლინზიანი *ანასტიგმატები* ($f'=50\div180$ *მმ*; $1:n=1:2$ ან $1:2{,}5$; $2\omega'=30\div8^\circ$)]., ფართოეკრანიანი კინოფილმების საჩვენებელი [6-ლინზიანი ანასტიგმატები ($f'=80\div140$ *მმ*; $1:n=1:2$, ნახ. 1, და *ანამორფოტული საცმი*)],



ნახ. 1. რო 504-1 ობიექტივის კონსტრუქცია ($f'=130$ მმ. $1:n=1:2$; $2\omega'=13^\circ$)

ფართოფორმატიანი კინოფილმების საჩვენებელი [6-ლინზიანი ანასტიგმატები და რთული ოპტ. სისტემები ($f'=70\div120$*მმ*; $1:n=1:2$; $2\omega'=42\div25^\circ$— ნახ. 2)]; ვიწროფირიანი 16-*მმ*-იანი კინოფილმების საჩვენებელი [4-და 6-ლინზიანი ანასტიგმატები (შესაბამისად $f'=35\div50$ *მმ*; $1:n=1:1{,}2$ და $f'=65$ *მმ*; $1:n=1:1{,}4$; $2\omega'=20\div11^\circ$)]; კინომოყვარულთა 8-*მმ*-იანი კინოფილმების საჩვენებელი [3 ლინზიანი *აპლანატები* ($f'=18$ *მმ*; $1:n=1:1{,}4$; $2\omega'=19^\circ$)], არის აგრეთვე ისეთი კ.ო., რ-ის $f'=15\div25$*მმ*, ხოლო $1:n=1:1{,}4$.



ნახ. 2. ოკპ 2-100-1 ($f'=100$ მმ; $1:n=1:2$; $2\omega'=30^\circ$); 1—აფოკალური სფერული საცმი; 2—ობიექტივი.

კინოსატელევიზიო ტექნიკა, გამოსახულების ფიქსაციისა და გადაცემის ხერხები, რ-თა განსახორციელებლად იყენებენ კინოსა და ტელევიზიის ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას, კ. ტ. ერთმანეთთან აკავშირებს *კინოტექნიკას, ტელევიზიას, ვიდეოჩაწერას* და წარმოადგენს სატელევიზიო ფილმების წარმოებისა და კინემატოგრაფიის უახლესი ტექნოლ. პროცესების ბაზას. კ. ტ-ის დარგში ჩამოყალიბდა 5 ძირითადი მიმართულება: სატელევიზიო ფილმების უშუალო გადაღება; კინოგადაღება სატელევიზიო ვიდეოკონტროლითა და საკონტროლო ვიდეოჩანაწერით; კინესკოპის ეკრანიდან ელექტრონული სხივით სატელევიზიო გამოსახულების კინოჩაწერა; კინოფილმების მონტაჟისა და ბეჭდვის დროს სატელევიზიო ვიდეოკონტროლი; გადაღებული ან კინოფირზე დაბეჭდილი ფილმების სატელევიზიო ტრაქტით გადაცემა, აგრეთვე ჩვეულებრივი ტელევიზორების ეკრანებზე სპეც. ვიწროფირიანი ფილმის პირების ჩვენება ე. წ. „ტელეკინოფირსაკრავის" მეშვეობით. მიმდინარეობს მუშაობა კინოსატელევიზიო კომბინირებული კინოგადაღებისა და კინოფირზე მაგნ. ვიდეოგრამების კვლავჩაწერის ხერხების შესაქმნელად, კინოფილმების კონტრატიპების დასამზადებლად. სატელევიზიო ფილმების უშუალო კინოგადაღება სატელევიზიო ფილმების წარმოების მეტად გავრცელებული მეთოდია. სატელევიზიო ფილმების კინოგადაღების ტექნოლოგია განსხვავდება კინოწარმოების ტექნოლოგიისაგან. მისი მთავარი თავისებურებაა 16 *მმ*-იანი კინოფირის ფართო გამოყენება. იგი მაღალმწარმოებლურია.

კინოგადაღება ვიდეოკონტროლით მიზნად ისახავს გადაღების პირობების გაადვილებას და მისი მწარმოებლურობის ამაღლებას. ამ მიზნით იყენებენ სხვადასხვა კონსტრუქციის კომბინირებულ კინოსატელევიზიო მოწყობილობის კომპლექტებს. მეტად გავრცელებულია მრავალკამერიანი კომპლექტები. სატელევიზიო ფილმების მრავალკამერიანი გადაღებისას (ნახ.) საკონტროლო ტელეგამოსახულება კომბინირებული კამერებიდან (1,2 და 3) გადაეცემა პულტს (4) და ვიდეოკონტროლის მოწყობილობებზე—მონიტორებზე (I, II და III) ხდება მისი აღწარმოება თითოეული კამერისათვის ცალ-ცალკე. ამრიგად, გადასაღები ეპიზოდი პულტზე მუდამ მოჩანს სამ სხვადასხვა რაკურსში. გადაღებისათვის კამერებს რთავს რეჟისორი უშუალოდ პულტიდან. საკონტროლო სატელევიზიო გამოსახულების აღწარმოება ხდება გამოსასვლელ მონიტორზე IV და მისი ჩაწერა შეიძლება საკონტროლო ვიდეომაგნიტოფონზე (5).

სატელევიზიო გამოსახულების კინოჩაწერა უშუალოდ ელექტრონული სხივით მაღალმწარმოებლურია, რადგან ჩასაწერი გამოსახულების ელექტრონული გადაღება ხდება რამდენიმე სატელევიზიო კამერითა და უწყვეტი ვიდეოკონტროლით.

ვიდეოკონტროლი კინოფილმების მონტაჟისა და ბეჭდვის დროს. დასამონტაჟებელ ან დასაბეჭდ ფილმს იმდენჯერ ატარებენ შეკრული სატელევიზიო ტრაქტის ეკრანზე ნებისმიერი საჭირო კორექციით, სანამ არ იპოვნიან ოპტიმალურ გამომსახველობას. მონტაჟის ყოველი მორიგი ვარიანტი ჩაიწერება მაგნ. ლენტზე. ჩანაწერის აღწარმოება შეიძლება გამოსასვლელი მონიტორის ვიდეოსაკონტროლო მოწყობილობით.



სატელევიზიო ფილმების მრავალკამერიანი კინოგადაღების ვიდეოკონტროლიანი აპარატურის კომპლექტის სქემა: 1, 2, 3—კომბინირებული კინოკამერები; 4—რეჟისორის პულტი; 5—საკონტროლო ვიდეომაგნიტოფონი.

ფილმების ტელეკინოპროექცია წარმოიქმნა რადიოსამაუწყებლო ტელევიზიასთან ერთად. ტელეკინოდანადგარების საპროექციო ნაწილი შედგება ორი-სამი კინოპროექტორისაგან (35 და 16 *მმ* სიგანის კინოფირისათვის). სინათლის წყაროდ იყენებენ ქსენონის ნათურებს, მძლავრ ვარვარის ნათურებსა და ზოგჯერ რკალურ ნათურებს. კინოპროექტორებს ისეთნაირად განალაგებენ ოპტ. კომუტატორის ირგვლივ, რომ სარკეებისა და კომუტატორის პრიზმების მარტივი მობრუნებით შესაძლებელი იყოს ნებისმიერი კინოპროექტორიდან გამოსახულების გადაცემა ნებისმიერ სატელევიზიო კამერის დანადგარზე.

პროექცია წარმოიქმნება ამა თუ იმ ქვეყნის სატელევიზიო სტანდარტის შესაბამისი კადრების ცვლის სიხშირით (სსრკ-ში — 25 *კადრი/წმ*).

ლიტ.: Бурдов В. А., Основы кинотелевизионной техники, М., 1964; მი-

ს ი ვ ე. Развитие кинотелевизионной техники в СССР, «Техника кино и телевидения», 1967, № 9 (ბიბლიოგრ.).

კინოსტუდია (*კინო...* და იტალ. studio— შესწავლა; სამუშაო ოთახი), საწარმო, სადაც მხატვრულ-შემოქმედებითი და საწარმოო-ტექნიკური პროცესების გაერთიანების გზით იქმნება ფილმები.

ფილმის ხასიათის, მისი გადაღებისა და დამზადების სპეციფიკის მიხედვით არსებობს მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნ.-პოპულ., სასწავლო და მულტიპლიკაციური ფილმების კ-ები. კ. აერთიანებს 2 ერთმანეთისაგან განსხვავებულ და ამავე დროს მჭიდროდ დაკავშირებულ შრომის პროცესს: მხატვრულ-შემოქმედებითსა (გადამღები ჯგუფი) და საწარმოო ტექნიკურს (წარმოების ტექ. ბაზის საამქროები). კ-ის ძირითადი შემოქმედებითმწარმოებელი რგოლია გადამღები ჯგუფი, რ-იც ფილმის გადაღების პერიოდში აერთიანებს როგორც შემოქმედებითს, ისე სხვა დარგის მუშაკებს. გადამღები ჯგუფის მხატვრულ-შემოქმედებითს საქმიანობას ხელმძღვანელობს ფილმის დამდგმელი რეჟისორი, საწარმოო-ეკონომიკურს კი — ფილმის დირექტორი.

კ-ში არის წამყვანი შემოქმედებითი მუშაკებისაგან შემდგარი სამხატვრო საბჭო, რ-იც განიხილავს სცენარებს, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებს, მუსიკას, გადამღები ჯგუფის მიერ წარდგენილ მასალას; შეფასებას აძლევს დასრულებულ ფილმს. კ-ის სასცენარო განყ-ბას ევალება სასცენარო საქმის მოვლა, სამსახიობო განყ-ბას კი — მსახიობების შერჩევა და ა. შ. შესაბამისად ყველა განყ-ბას და საამქროს ეძლევა გარკვეული დავალება ფილმის გადაღებისა თუ გადაღებული ფირის ტექ. დამუშავების გეგმაზომიერი წარმართვისათვის. სსრკ-ში ყველაზე დიდი კ-ებია: „მოსფილმი", „ლენფილმი", კიევის ა. დოვჟენკოს სახელობისა და სხვ. მ. შ. ერთ-ერთი უძველესი, სახელოვანი ტრადიციებისა და დიდი პოტენციური შესაძლებლობებისაა ლენინის ორდენოსანი კ. „ქართული ფილმი". აქ, როგორც ტიპურ დიდ საბჭ. კინოსაწარმოში, მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით შექმნილია რამდენიმე შემოქმედებითი გაერთიანება, რ-თაც ხელმძღვანელობენ ქართ. კინოს ცნობილი მოღვაწეები. 1978 ჩვენი ქვეყნის 39 კ-ში შეიქმნა 297 სრულმეტრაჟიანი ფილმი, მ. შ. 150 მხატვრული, 106 სატელევიზიო, 28 დოკუმენტური, 13 სამეცნ.-პოპულარული; გამოშვებულია 1412 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. კ. „ქართულმა ფილმმა" 1978 გამოუშვა 8 მხატვრ. ფილმი, მ. შ. 6 სრულმეტრაჟიანი; 26 დოკუმენტური, ამათგან 1 სრულმეტრაჟიანი, 6 მულტფილმი, 1 — თოჯინური, 16 კინოჟურნალი.

ლიტ: К о н о п л ё в Б. Н., Основы фильмопроизводства, М., 1969.

გ. დოლიძე.

კინოსტუდია „ქართული ფილმი", იხ. *„ქართული ფილმი"*.

კინოსცენარი, იხ. *სცენარი.*

კინოტექნიკა, ტექნიკის დარგი, რ-იც შეიქმნა კინოფილმების წარმოების, გამრავლებისა და დემონსტრირების განვითარების შედეგად. კ. იყენებს ფოტოგრაფიას, ოპტიკას, მექანიკას, შუქტექნიკას, ელექტრონიკას და სხვ. კ-ს ფართოდ იყენებენ მხატვრულ და დოკუმენტურ კინემატოგრაფიაში, სამეცნ. კვლევის დროს, ინფორმაციის შესინახად, სწავლების, ინსტრუქტაჟისა და სამოყვარულო მიზნებისათვის.

ძირითადი კინოტექ. პროცესი — მოძრაობის გადაცემა ან ობიექტების მდგომარეობის ცვლილება — მდგომარეობს კინოფირზე ობიექტების მოძრაობის ან მდგომარეობის თანამიმდევრული ფაზების წარმოქმნასა და ამ ფაზების გარკვეული სიჩქარით აღწარმოებაში *კინოსაპროექციო ეკრანზე*. მოძრავი გამოსახულება მიიღება ცალკეული თანამიმდევრული პროცესებისაგან (კინოგადაღება, კინოფირის ფოტოდამუშავება და კინოპროექცია). ამ პროცესებს ემატება ბგერათგადაცემა, რ-იც მოიცავს ორ პროცესს: ბგერათჩაწერასა და ეკრანზე გამოსახულების შესაბამის ბგერათაღწარმოებას. კ. წარმოადგენს კინოხელოვნების ტექ. ბაზას.

კინემატოგრაფის გამოგონების მომენტიდან (1895) მისი უმთავრესი ტექ. საშუალებებია: *კინოგადასაღები აპარატი, კინოსაპროექციო აპარატი* და კინოფირი. კინემატოგრაფიის განვითარების პროცესში შექმნილი იყო გასამეღავნებელი მანქანები (კინოფირის ქიმ.-ფოტოგრ. დამუშავებისათვის); კინოპირგადასაღები აპარატები, გასანათებელი აპარატურა და სხვ.

კ-ის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპებია ხმოვანი კინოს შექმნა, ფერადი და სტერეოსკოპული კინო, ფართოეკრანიანი, პანორამული და ფართოფორმატიანი კინო ბგერის სტერეოფონიკური აღწარმოებით. შეიქმნა წრიული პანორამული, პოლიეკრანული და ვარიოსკოპული კინო.

ხმოვანი კინო სსრკ-ში, აშშ-სა და დას. ევრ. ქვეყნებში თითქმის ერთდროულად შეიქმნა. 50-იან წლებში განვითარებას იწყებს ბგერის ჩაწერა მაგნ. ლენტზე და სტერეოფონიკური ბგერათჩაწერა. ფერადი კინოს სისტემებიდან ფართოდ გავრცელდა მრავალშრიან კინოფირზე სამფერიანი გამოსახულების მიღების მეთოდი. ფერადი კინოს საბჭ. სისტემაც მრავალშრიანი კინოფირის გამოყენებას ემყარება.

სტერეოსკოპული კინო (გამოიგონა ს. ივანოვმა 1935), დაფუძნებულია რასტრული კინოსაპროექციო ეკრანის გამოყენებაზე. პირველი სტერეოკინოთეატრი გაიხსნა მოსკოვში 1941.

გავრცელდა *პანორამული კინოს* სისტემა „სინერამა" (1952—57; მასში გამოყენებულია სამი 35 *მმ*-იანი კინოფირი), აგრეთვე ფართოეკრანიანი კინოს სისტემები— „სინემასკოპი" და სხვ. (გამოყენებული კინოფირის სიგანეა 35 *მმ*, იყენებს ანამორფოტულ ოპტიკასაც; 1953—56), *ფართოფორმატიანი კინო* (ფირის სიგანე 65—70 *მმ*; 1956—59).

50-იან წლებში სსრკ-ში შეიქმნა და გავრცელდა პანორამული კინოს საბჭ. სისტემა — „კინოპანორამა", ფართოეკრანიანი კინო ანამორფოტული ოპტიკის გამოყენებით, ფართოფორმატიანი კინო 70 *მმ*-იანი კინოფირისა და ექვსარხიანი სტერეობგერის გამოყენებით; სტერეოსკოპული კინო („სტერეო-70"), რ-შიც ორი გამოსახულება (მარცხ. და მარჯვ. თვალისათვის) განლაგებულია ერთმანეთის გვერდით 70 *მმ*-იან კინოფირზე.

სამეცნ. კვლევისათვის გამოყენებული კ-თვის დამახასიათებელია კინოგადაღების სიხშირის დიაპაზონის გადიდება ერთი კადრიდან რამდენიმე საათში ასეულ მლნ. კინოკადრამდე წამში. ფართოდ განვითარდა 16 *მმ*-იანი ვიწროფირიანი კინო. მას უმთავრესად იყენებენ ტელევიზიაში, სასწავლო და კინომოყვარულთა მიზნებისათვის. 60-იან წლებში ფართოდ გავრცელდა კინომოყვარულთა ვიწროფირიანი (8 *მმ* სიგანის ფირი) კინო, ე. წ. „სუპერ-8" სისტემა.

ლიტ: Г о л д о в с к и й Е. М., Основы кинотехники, М., 1965 (ბიბლიოგრ.).

კინოფესტივალი (*კინო...* და ფრანგ. festival — დღესასწაული, ზეიმი), კინოხელოვნების ნაწარმოებთა შემოქმედებითი შეჯიბრი, დათვალიერება, რ-ის მიზანია საუკეთესო ფილმების გამოვლენა, კინემატოგრაფისტთა ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება. არსებობს მრავალი სახის კ.— საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური, აგრეთვე თემატური (მაგ. სპორტ. ფილმების). პირველი საერთაშ. კ. ჩატარდა 1932 ვენეციაში (იტალია), მას მოჰყვა კანის (1946-იდან), კარლოვი-ვარის (1950-იდან), დას. ბერლინის (1951-იდან), სანსებასტიანის (1953-იდან) და სხვ. კ-ები. მსოფლიო კინოხელოვნ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმომადგენლობითი ფესტივალია მოსკ. საერთაშ. კ., რ-იც ტრადიციულად იმართება 2 წელიწადში ერთხელ დეკემბერში „კინოხელოვნების ჰუმანურობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის". ამ ფესტივალზე ქართ. კინოაქტიორულმა სკოლამ 2 უმაღლესი ჯილდო მოიპოვა: 1965 ს. ზაქარიაძემ გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებისათვის („ჯარისკაცის მამა") და 1973 რ. ჩხეიძემ ლუკას როლისათვის ფილმში „ნერგები" (ორივე ფილმის რეჟ. რ. ჩხეიძე). სხვადასხვა საერთაშ. კ-ზე თვალსაჩინო ჯილდოებით აღინიშნა მრავალი ქართ. ფილმი. ტრად. ხასიათი მიეცა საკავშ. კ-საც, რ-იც 1958-იდან ტარდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. 1972 თბილისში ჩატარდა V საკავშ. კ. 1974-იდან ყოველ ორ წელიწადში იმართება ქართ. ფილმების რესპ. ფესტივალი. პირველი ასეთი დათვალიერება მოეწყო 1974 მაისში ქუთაისში პირველი ქართველი კინემატოგრაფისტის ვ. ამაშუკელის პატივსაცემად.

60—70-იან წლებში საერთაშორისო კ-ებზე პრემიებით აღინიშნა არაერთი ქართ. ფილმი.

ლიტ.: Г о г о ѳ е л и ძ е, ქართული ფილმები მსოფლიოს ეკრანებზე, თბ., 1975; Кино и время. Бюллетень, в. 2, кн. 1—2, М., 1962—63; Ю р е н е в Р., На международных кинофестивалях, М., 1959.

გ. დოლიძე.

კინოფილმის გახმოვანება, ფილმის ბგერითი თანხლების ჩაწერის პროცესი, რ-იც განცალკევებულია გამოსახულებათა გადაღებისაგან. განასხვავებენ მომდევნო და წინასწარ კ. გ-ს. მ ო მ დ ე ვ ნ ო კ. გ-ისას ბგერას ჩაიწერენ კინოგადაღების შემდეგ, უკვე მზა გამოსახულების გათვალისწინებით. მეტყველების გახმოვანება, მუს. ნაწარმოებებისა და მოქმედების თანხლები სხვადასხვა ბგერითი ეფექტების ჩაწერა მიმდინარეობს ხმის ატელიეში (ტონ-ატელიეში) ადრე გადაღებული გამოსახულების დაპროექციებასთან ერთად. ამ ხერხის გამოყენებისას მიიღება ბგერისა და ეკრანზე გამოჩენილი გამოსახულების კარგი სინქრონიზაცია. მომდევნო გახმოვანებას მიეკუთვნება *კინოფილმის დუბლირებაც*. წ ი ნ ა ს წ ა რ ი კ. გ-ისას ბგერას ჩაიწერენ გამოსახულების გადაღებაზე ადრე. მას უმთავრესად იყენებენ გამოსახულებისა და მუს. თანხლების ზუსტი სინქრონიზაციისათვის. ამ ხერხის გამოყენებისას შეიძლება ნებისმიერი გადაღების წერტილის არჩევა და ფონოგრამის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

კინოფილმის დუბლირება, კინოფილმის ისეთი ფონოგრამის შექმნა, რ-იც ორიგინალის იდენტური იქნება. კ. დ. 2 სტადიას მოიცავს: გამოსახულების მიმართ სინქრონული ფილმის ტექსტის შექმნა და ამ ტექსტის განხორციელება მსახიობებთან რეჟისორის მუშაობისას მეტყველების ტონირების დროს. პირველ სტადიაზე მუშაობენ ეკრანის ტექსტის ავტორი და მსახიობი — ინტერპრეტატორი, რ-ებიც ერთმანეთს აკონტროლებენ. სადუბლირებელი ფილმის ტექსტის ავტორი ყურადღებით სწავლობს კინოფილმის მოცემულ ნაწყვეტს და ცდილობს გამოძებნოს მსახიობებისათვის საჭირო და ფილმის შინაარსის შესაბამისი სიტყვები. ამასთან, ტექსტის ავტორი მკაცრად იცავს ყოველი ფრაზის ხანგრძლივობას (მარცვლების რაოდენობას), უზრუნველყოფს მასში თანხმოვნების ზუსტ განლაგებას (ზუსტად აფიქსირებს ტუჩების მოკუმვის მომენტებს). განსაკუთრებით ძნელია სიმღერებით მდიდარ ფილმზე მუშაობა. ეკრანის ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ რეჟისორი იწყებს მთავარი როლების გამხმოვანებელი მსახიობების შერჩევას და მათ გასინჯვას. კ. დ-ის დროს მუშაობის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ეტაპია მეტყვე-

ლების ტონირების პროცესი, რ-ის დროს რეჟისორიც და მსახიობებიც ცდილობენ შექმნან ფილმის ორიგინ. ტექსტთან მაქსიმალურად მიახლოებული მეტყველებითი ნახატი. სსრკ-ში ყოველწლიურად 500-ზე მეტი მხატვრული კ. დ. ხდება სსრკ ხალხთა ენებზე.

კინოფირი, შუქმგრძნობიარე მასალა — თხელი მოქნილი ლენტი, რ-საც კიდეები პერფორირებული აქვს. იყენებენ ფილმის წარმოებისას (გადაღებისა და ბეჭდვისას).

კინოქსელი სსრკ კავშირში, ერთობლიობა კულტურულ-სანახაობითი საწარმოებისა (კინოთეატრები, კლუბები და ა. შ.), რ-ებიც მოსახლეობას უწევენებენ ფილმებს. კინოდანადგარები სხვადასხვაგვარია: ქალაქისა და სოფლის, მუდმივი და სეზონური, სტაციონარული და მოძრავი. მათი საშუალებით ხდება ყოველგვარი ფილმის დემონსტრირება. კ-ის ძირითადი დანიშნულებაა რეგულარულად უჩვენოს კინოფილმები მთელ სსრკ-ში და ამით ხელი შეუწყოს მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. 1972 სსრკ-ში იყო 157000 კინოთეატრი და კინოდანადგარი, მ. შ. საქ. სსრ-ში 1875.

გ. დოლიძე.

კინოხელოვნება, ხელოვნების დარგი, რ-ის ნაწარმოების შესაქმნელად კინოფირზე გადააქვთ რეალური, სპეციალურად ინსცენირებული ან მულტიპლიკაციური ხერხებით შექმნილი მოვლენები. კ-ის ნაწარმოები ანუ ფილმი შემოქმედების სხვადასხვა დარგის მუშაკთა (მწერალი-კინოდრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, ოპერატორი, მხატვარი, კომპოზიტორი) ერთიანი, კოლექტიური შრომის ნაყოფია. გამომსახველობითი საშუალებებიდან მთავარია მონტაჟი და გამოსახულების ფოტოგრაფიული ბუნება, რ-იც საშუალებას გვაძლევს ცხოვრებისეული სიზუსტით წარმოვადგინოთ სინამდვილის ყოველგვარი სურათი. დემოკრ. კ. ხელს უწყობს ადამიანის იდეურ-პოლიტიკურსა და მორალურ-ზნეობრივ აღზრდას, მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, ესთეტ. გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწას. ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1907 დააყენა საკითხი, რომ კინოს მიეღო პარტიული, კლასობრივი ხასიათი.

კ-ის არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა მისი 4 ძირითადი სახეობა: 1. მხატვრული კინემატოგრაფია, რ-იც საშემსრულებლო შემოქმედების ხერხებითა და საშუალებებით ხორცს ასხამს კინოდრამატურგიულ ნაწარმოებს (სცენარს), ან პროზის, დრამისა თუ პოეზიის სათანადოდ ადაპტირებულ ნიმუშებს; 2. დოკუმენტური, კინოსახოვანი პუბლიცისტიკის განსაკუთრებული დარგი, რ-იც ძირითადად ემყარება კინოფირზე უშუალოდ ფიქსირებულ რეალურ სინამდვილეს. 3. მულტიპლიკაციური კინემატოგრაფია, რ-იც გრაფ. და თოჯინურ პერსონაჟებს „აცოცხლებს" და 4. სამეცნ.-პოპულ. კინო, რ-იც ზემოხსენებული სამივე სახეობის საშუალებებს იყენებს მეცნ. პროპაგანდის მიზნით. კინემატოგრაფი არის არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ წარმოებაც. ცნობილია ფორმულა: ფილმი — ხელოვნებაა, კინო — წარმოება. კინო მრეწველობისა და ვაჭრობის განსაკუთრებული დარგია. ამის გამო ბურჟ. ქვეყნებში მონოპოლისტურმა კაპიტალმა ხელთ იგდო მთელი კინოეკონომიკა და უმკაცრესი იდეოლოგიური კონტროლიც დააწესა ფილმების წარმოება-დემონსტრირებაზე. სოციალ. ქვეყნებში კი კინოსაწარმოო ფინანსებიცა და გაქირავების სისტემაც სახელმწიფოს ხელშია.

ისტორიული ნარკვევი. კ-ის განვითარების ისტორია პირობითად 4 ძირითად პერიოდად იყოფა: პირველი პერიოდი — 1895—1918 წწ. ძმები ლიუმიერების სინემატოგრაფის პარიზული პრემიერიდან (1895) I მსოფლიო ომის დამთავრებამდე. ლიუმიერების 15—20-მეტრიან ფილმებში გვხვდება მომავალი კ-ის ელემენტები. მაშინ ფილმებს პრიმიტიულად, უმთავრესად ერთი წერტილიდან იღებდნენ; ამიტომ გადაღებული მასალა ფირზე აღბეჭდილ თეატრ. სპექტაკლს უფრო ჰგავდა, ვიდრე სპეციალურად კინოკამერის წინ გათამაშებულ მოქმედებას. მსახიობების თამაშიც თეატრალური იყო, მხოლოდ უხმოობის საკომპენსაციოდ დიდი ყურადღება ექცეოდა მიმიკას, რაც ხშირად თვითმიზნურ ხასიათს ატარებდა. 1908—18 კინემატოგრაფმა უკვე დაიწყო საკუთარი სპეციფიკის, თავისი ენის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხებისა და საშუალებების შემუშავება, რის შედეგადაც კინომ თანდათან მიიღო დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ხელოვნების სახე. ამ პერიოდიდან განსაკუთრებით გამოირჩევა დ. გრიფითის, ჩ. ჩაპლინის, მ. სენეტის (აშშ), მ. ლინდერის (საფრანგეთი), ი. პროტაზანოვის, ვ. გარდინის (რუსეთი) და სხვ. შემოქმედება: მეორე პერიოდი მოიცავს 20-იან წწ.; ამ დროს საბჭ. კინემატოგრაფისტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კ-ის სპეციფ. საშუალებათა გამომუშავებასა და ათვისებაში. ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტით (1919 წ. 27 აგვ.) მოხდა კინოს ნაციონალიზაცია და იგი მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადავიდა. დაიწყო განხორციელება ვ. ი. ლენინის მითითებისა იმის შესახებ, რომ ახალი, საბჭ. სინამდვილის ამსახველი ფილმების წარმოებას საფუძველი ჩაყროდა ქრონიკით, რ-იც იქნებოდა საბჭ. ცხოვრების არა მშრალი ინფორმაცია, არამედ სახოვანი პუბლიცისტიკა. დოკუმენტურ-ქრონიკალური კინოს ეს პუბლიც. სული მძლავრ ნაკადად შეიჭრა არა მარტო ძიგა ვერტოვისა და ესთერ შუბის შემოქმედებაში, არამედ ს. ეიზენშტეინის, ვ. პუდოვკინისა და სხვ. კინონოვატორების აღიარებულ ისტ. რევ. კინოეპოპეებში. ლენინური ეროვნ. პოლიტიკის გატარების შედეგად 20-იანი წწ. პირველსავე ნახევარში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნ. კინემატოგრაფიებს. ძვ. ცხოვრების გადმონაშთების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლას და ახ. სოციალ. მორალის საბოლოო დამკვიდრებას მიეძღვნა ი. პროტაზანოვის, ფ. ერმლერის, ს. იუტკევიჩის, მ. ჭიაურელის, ი. ტარიჩის და სხვ. საუკეთესო ფილმები. ამ პერიოდის საბჭ. კინოს მსოფლიო აღიარება მოუპოვა ს. ეიზენშტეინის „ჯავშნოსანმა პოტიომკინმა" (1925), ვ. პუდოვკინის „დედამ" (1926), ა. დოვჟენკოს „მიწამ" (1930), ნ. შენგელაიას „ელისომ" (1928) და სხვ. იდეურ-თემატურ ძიებასთან ერთად საბჭ. კინონოვატორებმა გაამდიდრეს და გააღრმავეს კინოს სპეციფ. საშუალებათა არსენალი. აღსანიშნავია მოწინავე ფრანგ კინემატოგრაფისტთა ჯგუფის — „ავანგარდის" ძიებანი კინოსპეციფიკის დარგში. კაპიტალ. ქვეყნების ეკრანებზე ამ პერიოდში გაბატონდა ამერ. კინოპროდუქცია, რ-საც მაყურებლამდე შენიღბული სახით მიჰქონდა ბურჟ. ცხოვრების მორალი, თუმცა ზოგი კინოხელოვანის შემოქმედებაში (ჩ. ჩაპლინი) მაინც აისახა კაპიტალ. სამყაროს წინააღმდეგობანი. ჰოლივუდი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა მსოფლიო კინობაზრის ხელში ჩასაგდებად. 20-იან წლებში მან თითქმის მთელი კაპიტალ. სამყაროს საუკეთესო კინემატოგრაფისტებს მოუყარა თავი. მესამე პერიოდი მოიცავს 1930—45, როცა „დიდი მუნჯი" ალაპარაკდა, რამაც იგი კიდევ უფრო დაუახლოვა ლიტ-რასა და თეატრს. საბჭ. კ. მტკიცედ დაეყრდნო სოციალ. რეალიზმის პრინციპებს. დაიდგა ფილმები მუშათა კლასის, გლეხობისა და საბჭ. ინტელიგენციის ცხოვრებაზე: გ. და ს. ვასილიევების „ჩაპაევი" (1934), გ. კოზინცევისა და ლ. ტრაუბერგის „ტრილოგია მაქსიმზე" (1935—39). შეიქმნა მხატვრული კინოლენინიანის პირველი შესანიშნავი ნიმუშები: მ. რომის „ლენინი ოქტომბერში" (1937), ს. იუტკევიჩის „თოფიანი კაცი" (1938). დიდი სამამულო ომის დროს კინო პატრ. სულისკვეთებით ავსებდა საბჭ. ხალხს. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს კინოდოკუმენტალისტებმა, რ-თაც შემოუნახეს მომავალ თაობებს საბჭ. ხალხის გმირული ბრძოლის ამსახველი კინოკადრები. ფრონტზე მივლინებულმა 243-მა კინოოპერატორმა გადაიღო 3,5 მლნ. მ-ზე მეტი კინოფირი, რ-ის საფუძველზე შეიქმნა 34 სრულმეტრაჟიანი და და 67 მოკლემეტრაჟიანი ფილმი, კინოპერიოდიკის 489 ნომერი. ქართვ. კინოდოკუმენტალისტებმა რამდენიმე სრულმეტრაჟიან ფილმთან ერთად შექმნეს 126 კინოჟურნალი, 43 სპეც. კინოსიუჟეტი და 9 საგანგებო გამოშვება. მეოთხე პერიოდი თანამედროვეობას მოიცავს. 40—50-იანი წწ. მიჯნაზე წარმატებები მოიპოვა სოციალ. ქვეყნების ეროვნ. კინემატოგრაფიამ. კაპიტალ. სამყაროში ნათლად გამოიკვეთა 2 იდეოლოგიის ბრძოლა. იტალიაში ზოგადდემოკრ. ანტიფაშისტური ფრონტის იდეების გავლენით წარმოიშვა ახ. მიმდინარეობა — ნეორეალიზმი, რ-მაც მრავალი ქვეყნის კინემატოგრაფიაზე მოახდინა გავლენა. საუკეთესო ნეორეალისტურ ფილმებში („უმბერტო დ", „ველოსიპედების მომტაცებლები" და სხვ.) სიმართლით აისახა ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობა. ანტიმილიტარიზმმა და დემოკრ. იდეებმა თავი იჩინა ფრანგ. კინოშიც. ომისშემდგომი პირველი ათწლეულის ფილმების შემდეგ („ბრძოლა ღიანდაგზე", 1946; „მისამართი უცნობია", 1951; „თუ მთელი ქვეყნის ჭაბუკები...", 1955), 50-იანი წწ. II ნახევარში კინორეჟისურაში მოვიდა „ახალი ტალღა" (ფ. ტრიუფო, კ. შაბროლი). აშშ-ში კ-ის კრიზისის შედეგად მკვეთრად შემცირდა ფილმების წარმოება და შეიცვალა თემატიკაც. ჰოლივუდის ფილმებში უკვე ჩანს ინტერესი ამერ. საზ-ბის შინაგანი წინააღმდეგობებისადმი, მაგრამ მისი გამოვლინების ყოველი ფორმა (რასიზმი, ახალგაზრდობის ანარქისტული ჯგანყი, დანაშაულის ზრდა, ნარკომანია და სხვ.) უმთავრესად ახსნილია არა სოც., არამედ ფროიდისტული პოზიციებიდან. ნამდვილი კრიტიკის ელემენტებს შეიცავს ს. კრამერის, ს. კუბრიკის და ზოგიერთი სხვა რეჟისორის ფილმები.

ომისშემდგომ წლებში საბჭ. კინემატოგრაფისტები შეეცადნენ განეზოგადებინათ ჩვენი ხალხის ისტ. გამოცდილება. ამას შედეგად მოჰყვა ალეგორიული და დიალექტ. ფილმები. მხოლოდ რამდენიმე კინოსურათში („სოფლის მასწავლებელი", „მზვერავის გმირობა", „ახალგაზრდა გვარდია" და სხვ.) აისახა მთელი სიღრმითა და დამაჯერებლობით გმირთა მდიდარი შინაგანი სამყარო. 50-იანი წწ. II ნახევარში ახ. ეტაპი დაიწყო როგორც საბჭოთა, ისე სოციალ. ქვეყნების კ-ში. განსაკუთრებით აღორძინდა მოკავშირე რესპუბლიკების კინემატოგრაფია.

სოციალ. მორალის პრინციპებს მიეძღვნა რამდენიმე საინტერესო საბჭ. ფილმი: „დიდი ოჯახი" (1954), „თავმჯდომარე" (1965), „შენი თანამედროვე" (1968) და სხვ. დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილ ფილმებში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა საბჭ. ადამიანის მაღალი მორალური თვისებები („მიფრინავენ წეროები", „ბალადა ჯარისკაცზე", „ბედი კაცისა", „ჯარისკაცის მამა" და სხვ.). მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული მსოფლიო და სამამულო ლიტ-რის ეკრანიზაციაში: „ოტელო" (1956), „წყნარი დონი" (1957—58), „ომი და მშვიდობა" (1966—67), „მეფე ლირი" (1971) და სხვ.

თანამედროვე პერიოდის საბჭ. დოკუმენტური კინოს ახ. ეტაპი იწყება რ. კარ-

მენის ფილმით „მოთხრობა კასპიის მენავ-თობეებზე" (1953). მასში საბჭ. საზ-ბის განვითარების პროცესები ნაჩვენებია იმ ადამიანთა შრომისა და ურთიერთდამოკიდებულების ასახვით, რ-ებიც ქვეყნის დოვლათს ქმნიან. დღევანდელი დოკუმენტური კინოს თვალსაჩინო ნიმუშია მ. რომის „ოვ-ულებრივი ფაშიზმი" (1966), რ-მაც მთელი სისრულითა და ცხოველმყოფელობით წარმოგვიდგინა ჰიტლერიზმის ნამდვილი სახე. საბჭ. მულტიპლიკაციის ოსტატებმა (ი. ივანოვ-ვანო, ა. ხინთიბიძე, ვ. ბახტაძე და სხვ.) შექმნეს ფილმები, რ-თა უმრავლესობა დიდი პოპულარობით სარგებლობს მაყურებელთა შორის.

თანამედროვე პერიოდი ნაყოფიერი და მრავალფეროვანია სხვა სოციალ. ქვეყნების კინემატოგრაფიისთვისაც. პოლ. კინოს რომანტ. ტრადიციებს ავითარებენ რეჟისორები ა. ვაიდა, ე. კავალეროვიჩი, ა. მუნკი და სხვ. გერმ. ფაშისტების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებს ასახავენ თავიანთ ფილმებში ბულგ. თუ იუგოსლ. კინოს საუკეთესო წარმომადგენლები: ზ. ჟანდოვი, რ. ვილჩანოვი, ვ. ბულაციჩი და სხვ. დოკუმენტურ კინოში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს გერმ. კინოპუბლიცისტემა ანდრე და ანელი თორნდაიკებმა. თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეძღვნება უნგრ., ჩეხოსლ., მონღ. და სხვ. სოციალ. ქვეყნების კინემატოგრაფისტთა ნაწარმოებები.

ქართულმა კ-მ 1978 წელს არსებობის 70 წელი იდღესასწაულა. მის სათავეებთან დგანან: ვ. ამაშუკელი, შ. დადიანი, ვ. გუნია, ა. წუწუნავა, გ. გოგიტიძე და სხვ. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ. 25 თებ.) კინო სახელმწიფოს ხელში გადავიდა და დასაბამი მიეცა მის მძლავრ აღმავლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით: შ. დადიანს, ა. წუწუნავას, ი. პერესტიანს, მ. ჭიაურელს, ა. ბეკ-ნაზაროვს, ნ. შენგელაიას, გ. მდივანსა და სხვ. 1928 გამოვიდა ქართ. მუნჯი კინოს შედეგრი — ნ. შენგელაიას „ელისო". 30-იან წლებში შეიქმნა ქართ. კინოს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: „ჯიმ შვანთე!" (რეჟ. მ. კალატოზიშვილი, 1930), „დარიკო" (რეჟ. ს. დოლიძე, 1936), „არსენა" (რეჟ. მ. ჭიაურელი, 1937), „დაკარგული სამოთხე" (რეჟ. დ. რონდელი, 1937) და სხვ. დიდი სამამულო ომის დროინდელი ქართ. ფილმები („გიორგი საკაძე" და სხვ.) ღრმა პატო. სულისკვეთებით აღავსებდნენ მაყურებელს. ქართ. კინოს განვითარების ახ. ეტაპი დაიწყო 50-იანი წწ. შუა ხანიდან, როცა ეკრანზე გამოვიდა ახალგაზრდა რეჟისორების თ. აბულაძისა და რ. ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა". კინოში მოვიდა რეჟისორთა ახალგაზრდა თაობა (ძმები ე. და გ. შენგელაიები, ო. იოსელიანი, მ. კოკოჩაშვილი, მ. კობახიძე, ლ. ღოღობერიძე, ნ. მჭედლიძე და სხვ.), რ-იც წარმოადგენს თანამედროვე ქართ. კინოს ძირითად შემოქმედებით ბირთვს.

ლიტ. იხ სტ-თან კინომცოდნეობა.

გ. დოლიძე.

კინტალის კონფერენცია 1916, ციმერვალდის მეორე, *ციმერვალდის კონფერენციაზე 1915* შექმნილი ციმერვალდის გაერთიანების მონაწილეთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია. გაიხსნა პერნში (შვეიცარია) 1916 წ. 24 აპრ. კონფერენციის შემდეგი სხდომები 25-იდან 30 აპრილამდე ჩატარდა კინტალში. მონაწილეობდა 40-ზე მეტი დელეგატი გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, სერბიიდან, შვეიცარიიდან და პორტუგალიიდან. კ. კ-ზე მწვავე იდეურ-პოლიტ. ბრძოლა გაიშალა *ციმერვალდის მემარცხენე* (ვ. ი. ლენინის მეთაურობით) დელეგატებსა და კონფერენციის მემარჯვენე-ცენტრისტულ ფრთას [ლიდერები რ. გრიმი (შვეიცარია), ა. ჰოფმანი (გერმანია), ო. მორგარი, ჯ. მოდილიანი (იტალია). პ. ბრიზონი (საფრანგეთი) და სხვ.] შორის ზავისა და საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის საკითხზე პროლეტარიატის დამოკიდებულების შესახებ. ცენტრისტული უმრავლესობის მიერ ციმერვალდის მემარცხენეთა პროექტის უარყოფის შემდეგ სპეც. კომისიამ შეადგინა რეზოლუციის კომპრომისული პროექტი, რ-იც მიიღეს ვ. ი. ლენინისა და მისი მომხრეების მიერ მთელი რიგი არსებითი შესწორებების შეტანის შემდეგ.

კინტანა (Quintana) მანუელ ხოსე (11. IV. 1772, მადრიდი, — 11. III. 1857, იქვე), ესპანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მონაწილეობდა ესპ. 1808—14 რევოლუციაში; იყო ცენტრ. ხუნტის მდივანი. რევ. დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს (1814—20). ესპ. 1820—23 რევ. დროს კორტესის დეპუტატი და განათლების მინისტრი გახდა. კ XIX ს. დასაწყ. რევ. პატრ. კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. 15 წლისამ გამოაქვეყნა ლექსების I წიგნი. ეკუთვნოდა სალამანკელ პოეტთა სკოლას. მის შემოქმედებაში თვალსაჩინოა რიტორიკისა და ეროვნ. გრძნობის ერთიანობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა (ტრაგედია „პელაიო", 1790). აღსანიშნავია კ-ს ოდები „გუსმან ძლევამოსილი" (1801), „ხუან პადილია" (1808), „ოდა ბეჭდვის გამოგონების თაობაზე" (1808), რ-ის ნაწილი გერმ. ენაზე თარგმნა ფ. ენგელსმა, და სხვ. კ-ს ეკუთვნის პროზაული თხზ. „სახელგანთქმულ ესპანელთა ცხოვრება" (ტ. 1—3, 1807—33), პოემები და მრავალი ლექსი.

კინტო, 1. ძვ. თბილისში ხელზე მოვაჭრე, განეკუთვნებოდა წვრილ ვაჭართა კლასს. გამოირჩეოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხით და თავისებური ჩაცმა-დახურვით (მაღალსაყელოიანი, საკინძშემოხსნილი დაწიხწკლული ჩითის პერანგი, მოკლე, შავი, ნაოჭიანი ახალუხი, უბეგანიერი მონაოჭებული შარვალი, მესტები, ზოგჯერ ყელდაკეცილი „დაწყობილი ჩექმები", ვერცხლის აბზინდიანი სარტყელი, აბრეშუმის ან ჩითის ხელსახოცით). თაბახზე გაწყობილ ხილსა და ბოსტნეულს გასაყიდად ქუჩებში თავით დაატარებდა. კ. თბილ. ყოფას XX ს. 30-იან წლებამდე შემორჩა. 2. გადატანითი მნიშვნელობით — ცუღლუტი, ლაზღანდარა, მასხარა.

ლიტ.: გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოპემა, ტფ., 1927; ჩხეტია შ., ტფილისის ისტორიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1938, ნაკვ. 1.

ა. სოხაძე.

კინტრიში, მდინარე დას. საქართველოში. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე, მთა ხინოს მახლობლად, ზ. დ. 2599 *მ*-ზე, ქობულეთთან ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 45 *კმ*, აუზის ფართ. 291 *კმ*². საზრდოობს წვიმის, მიწისქვეშა და თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალუხვია შემოდგომაზეც, წყალმცირობა — ზამთარსა და ზაფხულში. გაზაფხულზე მოდის წლიური ჩამონადენის 35%, ზაფხულზე — 18%, შემოდგომაზე — 31%, ზამთარზე — 16%. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 17,3 *მ*³/*წმ*. კ-ს ყოველწლიურად ზღვაში შეაქვს 540 მლნ. *მ*³ წყალი.

ი. აფხაზავა.

კინტრიში, ადრინდელი ნეოლითის ხანის (ე. წ. უკერამიკო ნეოლითის) 2 ძეგლი, რ-იც აღმოჩენილია მდ. კინტრიშის მარჯვ. ტერასაზე სოფლების ხუკუბნისა და ქობულეთის ტერიტორიაზე. შესწავლილია 1960—62 (ლ. ნებიერიძე, ს. გოგიტიძე). ნაპოვნია მხოლოდ კაჟისა და ობსიდიანის იარაღი (საჭრისები, საფხეკები, სახვრეტები, მრავალრიცხოვანი რეტუშირებული ლამელა) და წარმოების ნაშთები (ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევები და სხვ.). კ-ს ნამოსახლარები ანასეულ I და აჭარის სხვა ძეგლებთან ერთად ქმნის უკერამიკო ნეოლითის თავისებურ კულტურას, რ-ის საფუძველზეც შემდეგ აღმოცენდა კერამ. ნეოლითის კულტურა.

ლიტ.: ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

თ. კილურაძე.

კინტრიშის ნაკრძალი, ნაკრძალი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში, მცირე აჭარის ქედზე, მდ. კინტრიშის ხეობაში. ფართობი 7166 *ჰა* (1975). დაარსდა 1959 მესამეული ხანის კოლხური ტიპის ფლორისა და ფაუნის დასაცავად. კ. ნ-ის რელიეფი რთული და მრავალფეროვანია. ნაკრძალში შემონახულია მრავალი ენდემური და რელიქტური სახეობა. სუბტროპ. მცენარეულობის სარტყელს (500 *მ*) ცვლის მუხნარ-რცხილნარის (500—1000 *მ*) და მუხის (1000—2000 *მ*) სარტყლები, უფრო ზემოთ სუბალპ. მეჩხერი ტყე (2000—2200 *მ*) და ალპ. მდელოებია (2200—2600 *მ*). მერქნიანი მცენარეებიდან აქ გვხვდება ჰარტვისის მუხა, შავი მურყანი, რცხილა, უთხოვარი, ბზა, პონტოს მუხა, მედვედევის არყი, ძახველი, ხეშავი, ჭნავი, ქონდარა ლვია და სხვ.; ცხოველებიდან — შველი, არჩვი, დათვი, მელა, კვერნა, ტყის კატა, დედოფალა, კავკ. გველგესლა და კავკ. სალამანდრა, როჭო, ტყის ქათამი; მდ-ებში ბევრია კალმახი.

კ. მამისაშვილი.

კინშასა (Kinshasa) (1966-მდე ლეოპოლდვილი), ზაირის რესპუბლიკის დედაქალაქი. ქვეყნის მთავარი სატრანსპ., სამრეწვ., საფინანსო და კულტ. ცენტრი. მდებარეობს მდ. კონგოს (ზაირი) მარცხ. ნაპირზე. ჰავა სუბეკვატორულია. ზაფხული წვიმიანი იცის, ზამთარი — მშრალი. ივლ. საშ. ტემპ-რა 22°C, აპრილისა 27°C. ნალექები 1359 *მმ* წელიწადში. 2,5 მლნ. მცხ. (1977). კ. გამოყოფილია დამოუკიდებელ ადმ. ერთეულად. ქალაქს მართავს კომისარი.

კ. დააარსა აფრ. მკვლევარმა ჰ. სტენლიმ 1881; ეწოდა ლეოპოლდვილი (ბელგიის მეფე ლეოპოლდ II-ის პატივსაცემად). 1926—60 იყო კოლონია ბელგიის კონგოს ადმ. ცენტრი. 1960—64 კ. კონგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დედაქალაქია, 1964—71 — კონგოს დემოკრ. რესპუბლიკისა, 1971-იდან — ზაირის რესპუბლიკის.

კ. ზაირის სავაჭრო-სატრანსპ. კვანძია. უდიდესი სამდ. ნავსადგური მდ. კონგოს (ზაირი) აუზში. რკინიგზით უკავშირდება საზღვ. ნავსადგურ მატადის, ბორნით — ქ. ბრაზავილს (კონგოს დედაქალაქი). საავტ. გზების კვანძი, საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. კვების, საფეიქრო, ტყავის, ფეხსაცმლის, სამკერვალო, ქიმ., ფარმაცევტული, ლითონდასამუშ., ხის დასამუშ. მრეწველობა. ელექტრომოწყობილობის წარმოება, ავტომობილების, ველოსიპედების, ტრანზისტორული მიმღებების აწყობა. გემთსაშენები.

კ-ში არის ეროვნ. უნ-ტი (ქვეყანაში უდიდესი ბ-კით), ინ-ტები და სკოლები (პედ., არქიტ., პლასტ. ხელოვნ., სამშენებლო), მუს. და დრამ. ხელოვნების ეროვნ. აკადემია; გეოგრ., ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, გეოლ. სამსახური, სამეცნ. კვლევის ეროვნ. სამმართველო და სხვ.; ეროვნ. დრამ. დასი (1969-იდან) და მოყვარულთა რამდენიმე დრამ. კოლექტივი, ადგილ. ყოფის მუზეუმი, ზოოპარკი.

კინჩხა, სოფელი წულუკიძის რ-ნში, მდ. ოკაცეს (ცხენისწყლის სისტემა) მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ზედა კინჩხა, კინჩხაფერდი, რონდიში, საწისქვილო, ქვედა კინჩხა). ზ. დ. 650 *მ*, წულუკიძიდან 25 *კმ*. გორდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა, ხე-ტყის სახერხი საამქრო. საშ. სკოლა, 3 ბ-კა, კლუბი, მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კინჩხაფერდი, სოფელი წულუკიძის რ-ნში (კინჩხის სოფსაბჭო), მდ. ოკაცეს (ცხენისწყლის სისტემა) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1020 *მ*, წულუკიძიდან 28 *კმ*. გორდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა საშ. სკოლა სოფ. კინჩხაში (3 *კმ*).

ჯ. რ. კიპლინგი.

ო. კიპრენსკი. „ავტოპორტრეტი ფუნჯებით ყურზე" დაახლ. 1808—09. ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი.



ნ. კიენერი.

კიოტო. კინკაკუს პავილიონი („ოქროს პავილიონი". XIV ს. აღდგენილია 1953).

კინწურაშვილი (ფსევდ. ი ა ს ა მ ა ნ ი) მიხეილ პავლეს ძე [26. III (7. IV). 1885, სოფ. შხეფი, ახლანდ. ცხაკაიას რ-ნი, — 4. I. 1955, თბილისი), ქართველი საბჭ. პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1912). რევ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის გადასახლებული იყო ციმბირში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1902. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, კორესპონდენციებს, ლიტ. სტატიებს; თარგმნიდა ძირითადად უკრაინულიდან. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტ. შევჩენკოს ნაწარმოებთა თარგმნაში და ქართ.-უკრ. ლიტ. ურთიერთობათა სფეროში.

თხზ.: ი ა ს ა მ ა ნ ი, ლექსები, ტფ., 1922.

კინწურაშვილი სიმონ შალვას ძე (დ. 6. XI. 1924, ქუთაისი), ქართველი საბჭ. არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). სკკპ წევრი 1947-იდან. დაამთავრა საქ. პოლიტექ. ინ-ტი (1949). საქართვ. არქიტ. კავშირის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1962-იდან). ავტორია გეგმარებითი პროექტების, გამოფენებისა და სხვ.

თხზ.: თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 1958 (თანაავტ.: მ. კარბელაშვილი, ნ ჯანბერიძე; რუს. ენაზე—1967); Архитектура Советской Грузии. М.—Тб., 1958 (თანაავტ.: ნ. ჯანბერიძე); Архитектура Советской Грузии, М., 1974.

კიოგა (Kioga, Kyoga), ტბა აფრიკაში (უგანდა), 1029 *მ* სიმაღლეზე. ფართ. დაახლ. 2590 *კმ²*, სიღრმე 3—5 *მ*. ნაპირები ძლიერ შეჭრილ-შემოჭრილია. კ. ვრცელი წყალსატევის რელიეტია, რ-იც მოიცავდა *ვიქტორიას* ტბას. დაფარულია ლერწმოვა და პაპირუსით. ტბაში გადის მდ. ვიქტორია-ნილოსი.

კიოდო ცუსინი, იაპონიის საინფორმაციო სააგენტო; დაარსდა 1945 ტოკიოში. იაპ. წამყვანი გაზეთებისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის საკაციონერო გაერთიანებაა. ამზადებს საშინაო და საერთაშ. ინფორმაციას გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიისათვის.

კიოტო (იაპ., სიტყვასიტყვით — სატახტო ქალაქი), ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში. კიოტოს პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 1,5 მლნ. მკს. (1977). ქვეყნის მნიშვნელოვანი ეკონ. ცენტრი. სატრანსპ. კვანძი. ტრად. ხელოსნური წარმოების (გალაქულ და ბრინჯაოს ნაკეთობათა, ფაიფურის, ნატურალური აბრეშუმის ნაწარმის, ნაქარგებისა და საკულტო საგნების დამზადება) ცენტრი. განვითარებულია მანქანათმშ. და მეტალურგია, საფეიქრო, სამკერვალო, კვების და მინაკერამ. მრეწველობა. არის 2 უძველესი უნ-ტი, სამედ. აკადემია, მუზეუმები, ბოტან. ბაღი. კ. ტურიზმის საერთაშ. ცენტრია.

კ. იაპ. ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი, ისტ. და რელიგ. ცენტრია. აშენდა 792—794; 794—1192 ჰეიანი ერქვა. 1868-მდე ოფიციალურად ითვლებოდა დედაქალაქად, იმპერატორების რეზიდენციად.

ქალაქს შენარჩუნებული აქვს შუა საუკ. რეგულარული დაგეგმარება. ნაგებობათაგან შემონახულია: ტოძის ტაძარი (VIII—XVII სს.; საკურთხევლის სკულპტურული კომპოზიცია —IX ს.), საიჰოძის (XIV ს.), ტენრიმუძის (XIV ს.), დაიგოძის (IX—XVI სს.), ნისიჰონგანძის (XVI ს. დასასრ. — XVII ს. დასაწყ.; მოზატულობა XVI—XVII სს.) მონასტრები ხავსის, ქვიშის, ქვებისა და აგრეთვე პეიზაჟური ბაღებით; კინკაკუს („ოქროს პავილიონი", XIV ს.; აღდგენილია 1953), გინკაკუს („ვერცხლის პავილიონი", XV ს. დასასრ.) პავილიონები; იმპერატორის სასახლის კომპლექსი (აღდგენილია 1789, IX ს. ნიმუშების მიხედვით) და სხვ. XX ს. ნაგებობათაგან აღსანიშნავია კავშირგაბმ. სახლი (1954, არქიტ. კოსაკა ჰიდეო), ქალაქის კულტ. ცენტრი „კიოტო კაიკანი" (1950-იანი წწ., არქიტ. მაიოკავა კუნიო) და სხვ.

კიოტო, პრეფექტურა იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში. შედის კანსაის ეკონ. რ-ნის შემადგენლობაში. ფართ. 4,6 ათ. *კმ²*. მოსახლ. 2,4 მლნ. კაცი (1975). მთავარი ქალაქი და ადმ. ცენტრი — ქ. კიოტო. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს მაღლობებს (საშ. სიმაღლე 500—700 *მ*). წარსულში კ. ცნობილი იყო განვითარებული შინამრეწველური წარმოებით, რ-იც სპეციალიზებული იყო ფუფუნების საგნების წარმოებაზე. ამჟამად კ-ში განვითარებულია მანქანათმშ. (მ. შ. ელექტრომანქანათმშ. და სატრანსპ. მოწყობილობის წარმოება), საფეიქრო, კვების, ქიმ. მრეწველობა. მთავარი სას.-სამ კულტურებია ბრინჯი, ქეთი და ხორბალი. სამხრ-ით განვითარებულია მებაღეობა და მეჩაიეობა, ცენტრ. ნაწილში — ტყის რეწვა და ნახშირის წვა. პრეფექტურის ჩრდ. ნაწილში არის სავაჭრო ნავსადგური მაიმურუ.

კიპირჯიკი, სოფელი ბოლნისის რ-ნში (დარბაზის სოფსაბჭო), ქვემო ქართლის დას. მთისწინეთში. ზ. დ. 900 *მ*, ბოლნისიდან 24 *კმ*. დარბაზის მეკარტოფილეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. დარბაზში (1,5 *კმ*). ბ-კა.

კიპლინგი (Kipling) ჯოზეფ რადიარდ (30. XII. 1865, ბომბეი, — 18. I. 1936, ლონდონი), ინგლისელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1907). ადრეულ პოეტურ კრებულებში „დეპარტამენტის სიმღერები" (1886), „ყაზარმის სიმღერები" (1892), „შვიდი ზღვა" (1896) და სხვ., მოთხრობების კრებულებში „უბრალო ზღაპრები მთებიდან" (1887), „ჯუნგლების წიგნი" (1894), „ჯუნგლების მეორე წიგნი" (1895) და სხვ. კ. ზედმიწევნით აღწერს კოლონ. ცხოვრებას და მის მიმართ სატირასაც არ ერიდება, მაგრამ ამასთან განადიდებს ანგლოსაქსურ რასას, ემხრობა კოლონიალიზმს. პოეზიაში კ-მა შეიტანა ახლებური ვერსიფიკაცია, უხეში კოლონ. ჟარგონი, ეგზოტიკური მასალა, თავისებური რომანტიკა. შემდეგ მის შემოქმედებაში თანდათან გამოიკვეთა თეთრკანიანთა ისტ. მისიის, ძლიერი პიროვნების კულტის პროპაგანდის გავლენა. 1899 რამდენიმე პოეტთან ერთად კ. სათავეში ჩაუდგა ინგლ. იმპერიალიზმის ე. წ. „ნეორომანტიზმის" მიმართულებას. ამ პერიოდის დამახასიათებელი ნაწარმოებებია: რომანი „კიმი" (1901), ლექსების წიგნი „ხუთი ერი" (1903), ბურების ომისადმი მიძღვნილი ლექსები, მრავალი მოთხრობა, ნარკვევი და სხვ. კ-მა პოპულარობა მოიპოვა საბავშვო მოთხრობებითა და ზღაპრებით („რიკი-ტიკი-ტავი", „მაუგლი", „რიქშა-მოჩვენება"), ანიმალისტური და „საშინელებათა მოთხრობებით",. სათავგადასავლო რომანებით და სხვ.

თხზ.: The writings, v. 1—36, N. Y., 1897—1937; Собр. соч., [т. 1—20], П., 1916; მაუგლი. ჯუნგლის წიგნიდან, თბ., 1946; რიკი-ტიკი-ტავი, თბ., 1967; ლექსები და ბალადები, თბ., 1967; უკვდავი ყვავილები, თბ., 1971; ინდური მოთხრობები, თბ., 1978.

ლიტ.: История английской литературы, т. 3, М., 1958. *ი. კენჭოშვილი.*

კიპრენსკი ორესტ ადამის ძე [13 (24) III. 1782, მიზა ნეჟინსკაია კოპორიეს მახლობლად, ახლანდ. ლენინგრ. ოლქი,—17. X. 1836, რომი], რუსი ფერმწერი და გრაფიკოსი, რომანტიზმის წარმომადგენელი, 1812-იდან აკადემიკოსი. სწავლობდა პეტერპ. სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სამხატვრო-აღმზრდელობით სასწავლებელში (1788—1803). კ-ს ნამდვილი მოწოდება პორტრეტული ჟანრი იყო. მისი ადრინდ. ნამუშევრებიდან გამოირჩევა მამინაცვლის ა. შვალბეს პორტრეტი (1804, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი) და „ავტოპორტრეტი ფუნჯებით ყურზე" (დაახლ. 1808—09, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). 1809—11 წლებში მან შექმნა რომანტ. განწყობილებით გამსჭვალული პორტრეტები ა. ჩელიშჩევისა (დაახლ. 1809 ან 1810—11, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი) და ე. დავიდოვისა (1809, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი). ინდივიდ. ხასიათები გამოკვეთილი კ-ს ჯგუფურ პორტრეტებში (ცოლ-ქმარ როსტოფჩინების პორტრეტი, 1809, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). 1816—22, იტალიაში ყოფნის პერიოდში, კ-ს ფერწერაში შეიმჩნევა სწრაფვა განზოგადებული ხასიათების შექმნისკენ (. . გოლიცინის პორტრეტი, დაახლ. 1823, ტრეტიაკოვის გალეიოა, მოსკოვი). 1827 კ-მ შექმნა ა. პუშკინის პოეტური პორტრეტი (ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი). იტალიაში (სადაც კვლავ გაემგზავრა 1828) შექმნილი ნამუშევრები აღწერილობითი ხასიათისაა („ნეაპოლელი გაზეთის მკითხველები", 1831, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი); მ. პოტოცკაისა და ს. შუვალოვას პორტრეტი ეთიოპიელ ქალთან ერთად (დაახლ. 1835, კიევის რუს. ხელოვნ. მუზეუმი).

ლიტ.: Ацаркина Э. Н., Орест Кипренский, М., 1948.

კიჟი, კუნძული ონეგის ტბაში (კარელ. ასსრ), სადაც შემონახულია კიჟის სამრეკლოს ხის ნაგებობათა კომპლექსი (რესტავრირებულია 1856—59), XIV ს-ში ტბის მრავალრიცხოვან კ-ებზე მდებარე სოფლები გაერთიანდნენ ერთი ადმ. ცენტრის — კ-ის სამრეკლოს მაცხოვრის ეკლესიის გარშემო, რ-საც XVII ს-ში შვედ და პოლ.-ლიტვ. დამპყრობთაგან დასაცავად შემოავლეს ხის მორების კედელი შიგ დატანებული სადარაჯო კოშკებით. კომპლექსში შედის ფერისცვალების 22-გუმბათიანი ეკლესია (1714, ინტერიერში 4-იარუსიანი კანკელი, XVIII ს.), ღვთისმშობლის საფარვლის 9-გუმბათიანი ეკლესია (1764) და კარვისებრი სამრეკლო (1874, მშენებელი ს. პეტრუხინი). 1960-იდან კ. კარელ. ასსრ ხის ხალხ. ხუროთმოძღვრების და ეთნოგრაფიის მუზეუმ-ნაკრძალია. აქ გადმოიტანეს XIX ს. — XX ს. დასაწყ. ბევრი შენობა.

კიჟნერი ნიკოლოზ მათეს ძე [27. XI (9. XII). 1867, მოსკოვი, — 28. XI. 1935, იქვე], საბჭ. ქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1934); 1890 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1918-იდან მოსკ. ანილტრესტის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელია. კ-მა ბენზოლიდან მიიღო ჰექსაჰიდრობენზოლი, 1895 პირველმა დაახასიათა პოლიმეთილენური რიგის ამინები და ჰიდრაზინები. 1911 აღმოაჩინა ჰიდრაზინების კატალიზური დაშლის რეაქცია, ხოლო 1912 — ციკლოპროპანის რიგის ნახშირწყალბადების სინთეზი. კ-ს ეკუთვნის ორგ. საღებრების მიღების მრავალი მეთოდი. მიღებული აქვს ა. ბუტლეროვის სახ. ორი პრემია.

თხზ.: Исследования в области органической химии, М.—Л., 1937.

კირაკოს განძაკეცი, კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი (1200—1271), XIII ს. სომეხი ისტორიკოსი, „სომხეთის ისტორიის" ავტორი. კ. გ-ის თხზულება სომხეთში, აგრეთვე მომიჯნავე ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა.

თხზ.: История Армении, пер., предисл. и коммент. Л. А. Ханларян, М., 1976.

გ. მაისურაძე.

კირასირები (გერმ. Kürassier<ფრანგ. cuirassier), მძიმე კავალერიის გვარეობა, რ-ის მხედრები დაცული იყვნენ კირასით (ბექთარი) და აღჭურვილი იყვნენ მახვილით, დამბაჩებითა და კარაბინით. დას. ევროპაში კ. გაჩნდნენ XVII ს. ბოლოს. XVIII ს.—XIX ს. დასაწყისში კ-თა პოლკები ევრ. ყველა არმიაში იყო. ბრძოლებში მათ იყენებდნენ გადამწყვეტი დარტყმისათვის. XX ს. დასაწყისში კ-ის ნაწილები დაშალეს. რუსეთში კ-ის პირველი პოლკი (ცხენოსანთა ლაიბ-გვარდია) 1731 ნოემბ. ჩამოყალიბდა. კ-თა პოლკებმა 1917-მდე იარსება.

კირბალი, სოფელი გორის რ-ნში (ზეღდულეთის სოფსაბჭო), ტირიფონის ვაკეზე. ზ. დ. 900 *მ*, გორიდან 23 *კმ*. ბერშუეთის შოთა რუსთაველის სახ. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მებაღეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი.

კირეევსკი ივანე ვასილის ძე [22. III. (3. IV). 1806, მოსკოვი, — 11(23). VI. 1856, პეტერბურგი], რუსი ფილოსოფოს-იდეალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. 1822-იდან მოსკ. უნ-ტში სწავლობდა. 1830—32 გერმანიაში ისმენდა ჰეგელის, შელინგისა და სხვ. ლექციებს. თავის სტატიაში (1828) კ-მ პირველმა მიუთითა ა. პუშკინის შემოქმედების ხალხურობასა და თვითმყოფობაზე. 1832-იდან დაიწყო ჟურნ. „ევროპეეცის" გამოცემა, რ-იც მეფის მთავრობამ მალე აკრძალა. 40-იან წლებში მიემხრო სლავოფილებს, თუმცა მათ ყველა იდეას არ იზიარებდა.

კირეევსკი, ქალაქი (1956-მდე დაბა) რსფსრ ტულის ოლქში. კირეევსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. დედილოვოდან 20 *კმ*. იღებენ ქვანახშირს (მოსკოვისპირა ქვანახშირის აუზი), რკინის მადანს. ტულის ლითონის კონსტრუქციების ქ-ნა, ქარსის, წინდის, ხელოვნური ბეწვის ფ-კები, რძის ქ-ნა. ავეჯის წარმოება. მექან.-ტექნოლ. ტექნიკუმი.

კირენაიკა, ისტორიული ოლქი ლიბიაში. ძვ. წ. VII ს-ში კ-ის სანაპირო ზოლში დაარსდა ბერძნ. ქალაქები, მ. შ. უდიდესი იყო კირენე. ძვ. წ. VI—IV სს-ში შედიოდა აქემენიდების, IV ს-ში — ალექსანდრე მაკედონელის, შემდეგ პტოლემეების სახელმწიფოს შემადგენლობაში. ძვ. წ. I ს-იდან რომის პროვინცია გახდა, შემდეგ ბიზანტ. გამგებლობაში მოექცა. ახ. წ. VII ს. 40-იან წლებში დაიპყრეს არაბებმა, XVI ს-ში — ოსმალებმა. 1928 კ-ის მთელი ტერიტ. დაიკავეს იტალიელებმა, II მსოფლიო ომის (1939—45) დასასრ. — ინგლ. ჯარებმა. 1963 ახ. ადმ. დაყოფასთან დაკავშირებით კ., როგორც დამოუკიდებელი ადმ. ერთეული, გაუქმდა და 3 მუჰაფაზად (საგუბერნატოროდ) დაიყო: ბენღაზი, დერნა და ელ-ჯებელ-ელ-ახდარი.

კირენგა, მდინარე რსფსრ ირკუტსკის ოლქში, მდ. ლენის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 746 *კმ*, აუზის ფართ. 46,6 ათ. *კმ*². სათავე აქვს ბაიკალის ქედზე. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 18 *კმ*-ზე 658 *მ*³/*წმ*. იყინება ოქტ-ში, ყინულძვრა აპრ. ბოლოს და მაისშია. სანაოსნოა შესართავიდან 228 *კმ*-ზე. შესართავთან არის ქ. კირენსკი.

კირენე (ბერძნ. Kyrenē, თანამედროვე შაჰატი, ლიბია), ძვ. ქალაქი. მდებარეობს 15 *კმ*-ზე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან. გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური ძეგლების — აკროპოლისის, კაპიტოლიუმის, ცეზარეუმისა და აგორის კომპლექსების, აგრეთვე აპოლონისა (ძვ. წ. VII ს. დასასრ., გადაკეთებულია ძვ. წ. V, IV, ახ. წ. II სს-ში და უფრო გვიან) და ზევსის ტაძრების, დიდი და მცირე თერმების (I—II სს.), თეატრის ნაშთები. კედლებს გარეთ ბიზანტ. ხანის ქრისტ. ბაზილიკაა. ნაპოვნია კერამ. ნაკეთობანი, ქვის ქანდაკება და სხვ.

კირენული სკოლა, ფილოსოფიის სკოლა ძვ. საბერძნეთში. დაარსა *არისტიპე კირენელმა*. წარმომადგენლები არიან არეტე, არისტიპე უმცროსი, თეოდორე, ანიკერიდი და სხვ. სკოლამ განავითარა *სოკრატეს* პრინციპები თანამიმდევრული ჰედონიზმის ხაზით. არისტიპე, *პროტაგორას* მსგავსად, ამტკიცებდა, რომ შეგრძნებები არაფერს გვეუბნებიან გარესამყაროს შესახებ. ისინი შეესატყვისებიან მხოლოდ ჩვენს სულიერ მოძრაობას და ამიტომ ყოველთვის ჭეშმარიტნი არიან. სულიერ მოძრაობას არა აქვს გარე კრიტერიუმი. ადამიანური ცხოვრების მიზანი არის სიამოვნება. ამ დებულებით კ. ს. უახლოვდება *ეპიკურეიზმს*.

კირვალიძე ნინო მიხეილის ასული (დ. 22. XI. 1938, თბილისი), ქართველი საბჭ. მოცეკვავე. საქ. სსრ სახ. არტისტი (1972). 1961—67 სწავლობდა თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტში. 1958-იდან საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი მოცეკვავეა. ახასიათებს მაღალი პროფ. ოსტატობა, ფაქიზი გემოვნება, ეროვნ. კოლორიტის გრძნობა. ►სრულებს როგორც სახასიათო („ხაბარდა", „სადარბაზო"), ისევე კლასიკურ ხალხ. („სამაია", „ქართული", „წყაროსთან", „ხონგა", „სიმდი") ცეკვებს.

კირი, *კირქვის*, ცარცისა და სხვა კალციუმ-მაგნიუმიანი კარბონატული ქანების გამოწვისა და შემდგომი გადამუშავების პროდუქტები, უმთავრესად ჩ ა უ მ ქ რ ა ლ ი კ. CaO და წყალთან მისი ურთიერთქმედების პროდუქტი — ჩ ა მ ქ რ ა ლ ი კ. $Ca(OH)_2$. კ-ს ფართოდ იყენებენ მშენებლობაში, მეტალურგიაში, ქიმ. მრეწველობაში, შაქრის, ქაღალდის, მინის წარმოებაში, სოფ. მეურნეობაში, წყალწმენდაში და ა. შ. კ-ის სახეობებია ნატრონკირი და ქლორკირი.

ს ა მ შ ე ნ ებ ლ ო კ. მჭიდა ნივთიერებაა; შეიცავს 95%-მდე CaO-ს; იღებენ ბუნებრივი კალციუმ-მაგნიუმიანი კარბონატების შახტურ, მბრუნავ და სხვა ღუმლებში გამოწვით (1100—1300°C ტემპერატურაზე). კ. ერთ-ერთი უძველესი მჭიდა ნივთიერებაა. მას (ქვიშასა და წყალთან შერეულს) ჯერ კიდევ ძვ. წ. 3000—2500 წლებში იყენებდნენ სხვადასხვა ნაგებობაში ქვებისა და აგურების ერთმანეთთან დასამაგრებლად, აგრეთვე საბათქაშე ნარევისა და სალებავი შედგენილობების დასანზადებლად.

თანამედროვე მშენებლობაში კ-ს იყენებენ *დულაბისა* და *ბეტონების* დასამზადებლად, სილიკატური აგურის, ხელოვნური საშენი ქვების, ბლოკებისა და სხვა ნაკეთობათა წარმოებაში. ქიმ. შედგენილობის მიხედვით იგი ორგვარია: ჰ ა ე რ კ ი რ ი და ჰ ი დ რ ა ვ. კ. პირველი დულაბებისა და ბეტონების გამყარებას და მათთვის სიმტკიცის შენარჩუნებას ჰაერულ-მშრალ პირობებში უზრუნველყოფს, მეორე კი — როგორც ჰაერზე, ისე წყალში.

კირიანი სასუქი, სხვადასხვა კირიანი ნივთიერება, რ-საც იყენებენ სოფლის მეურნეობაში ნიადაგის გასაკირიანებლად. კ. ს. ანეიტრალებს ნიადაგის მჟავიანობას, ამცირებს მცენარეზე და მიკროორგანიზმებზე წყალბადისა და ალუმინის იონების ჭარბი კონცენტრაციის უარყოფით მოქმედებას, ამდიდრებს ნიადაგს კალციუმით, ზრდის სხვა სასუქების ეფექტურობას.

კ. ს-ებია კირის შემცველი სხვადასხვა მთის ქანი და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, წარმოების ნარჩენები, რ-იც შეიცავს კირს. განარჩევენ კირის შემცველ მაგარ და რბილ მთის ქანებს. მ ა გ ა რ ი ქ ა ნ ებ ი ა კირქვა, დოლომიტი, ცარცი, რ-ებსაც სასუქად გამოყენებამდე წვავენ ან სპეც. წისქვილში ფქვავენ. კირქვის დაწვით მიიღება დამწვარი კირი (CaO), მასზე წყლის მოქმედებით კი — ჩამქრალი კირი, რ-იც უკვე ფხვიერია. დოლომიტიზებული კირქვა ან დოლომიტი მკვრივია და ნიადაგში შესატანად უნდა დაიფქვას. მას იყენებენ მაგნიუმით ღარიბი მჟავე ნიადაგისთვის. ცარცი შეიცავს კირქვას, მასზე უფრო რბილია და ადვილად იფქვება. რ ბ ი ლ ი ქ ა ნ ე ბ ი ა ბუნებრივი დოლომიტი, კირიანი ტუფი, გაჯი, მერგელი (ტკილი). ბუნებრივი დოლომიტი დიდი რაოდენობით მოიპოვება სსრკ ბევრ ადგილას. ტკილი თიხანარევი კირია, შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, კალიუმს, ფოსფორსა და მცენარისათვის საჭირო ზოგიერთ სხვა ნივთიერებას; ფართოდაა გავრცელებული დას. საქართველოში, იგი სხვადასხვაფერია — ლურჯი, ნაცრისფერი, ჟანგისფერი. კ. ს-ად იყენებენ აგრეთვე ზოგიერთი ბუნებრივი ქანის გადამუშავების პროდუქტებს, კირის შემცველ წარმოების ნარჩენებს—შაქრის წარმოების ნარჩენს, დეფეკაციურ ტალახს, ტორფის და ფიქალის ნაცარს, ცემენტის მტვერს, ალუმინის წარმოებისა და ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ნარჩენებს და სხვ. საქართველოში კ. ს-ად უმთავრესად იყენებენ დაფქულ კირქვას, ტკილს და დეფეკაციურ ტალახს.

ი. სარიშვილი.

კირიანი წყალი, *კალციუმის ჰიდროჟანგის* ნაჯერი წყალხსნარი.

კირიბატი (Kiribati), სახელმწიფო წყნარი ოკეანის დას. ნაწილში. მის შემადგენლობაშია *გილბერტის კუნძულები*, ლაინის კ-ები, ფენიქსის კ-ები და კ. ოშენი (ბანაბა). შედის *ერთა თანამეგობრობაში*. ფართ. 861 *კმ*², მოსახლ. 55 ათ. კაცი (1979). ცხოვრობენ მიკრონეზიელები და პოლინეზიელები. დედაქალაქი — ტარავა. ოფიც. ენა— ინგლისური.

კ-ს ტერიტ. შედგება მარჯნის კ-ებისაგან, რ-თა ნაწილი დაუსახლებელია. ჰავა უმთავრესად ეკვატორულია, ცხელი და ნოტიო, სამხრ-ით პერიოდული გვალვები იცის. იზრდება ბუჩქოვანი მცენარეულობა.

1892—1915 გილბერტის კ-ები და კ. ელისი დიდი ბრიტ. პროტექტორატი, შემდეგ კოლონია იყო (1975 წ. 1 ოქტ. კ. ელისი გამოიყო ინგლ. ახ. კოლონიად *ტუვალუს* სახელწოდებით). 1972-იდან განაგებდა დიდი ბრიტ. მიერ დანიშნული გუბერნატორი. 1974 კ-ებზე ჩატარდა რეფერენდუმი. მოსახლეობამ ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობას. 1977 წ. 1 იანვ. დიდმა ბრიტანეთმა გილბერტის კ-ებს საშინაო თვითმმართველობა მიანიჭა, 1979 წ. 12 ივლ. კი შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო კ. (სახელწ. მომდინარეობს ინგლ. „გილბერტის" მიკრონეზიული ვარიანტიდან). ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ აირჩია მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ერთპალატიანი პარლამენტით. მთავრობის მეთაური — პრეზიდენტი გახდა იერემია ტაბაი. სსრკ-მა კ. დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ ცნო.

კ-ს ეკონომიკა ძლიერ სუსტადაა განვითარებული. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ბრიტ. კომპანია „ბრიტიშ ფოსფეიტ კომიშნი" კ. ოშენზე იღებდა ფოსფორიტებს (საშ. 500 ათ. *ტ* წელიწადში). ამჟამად მისი მარაგი თითქმის მთლიანად

6. კირვალიძე.



კირენე. ნანგრევების საერთო ხედი.

ა. კირილენკო.

ვ. კირილინი.

ამოწურულია. მოსახლ. მთავარი საქმიანობაა ტროპ. მიწათმოქმედება (ქოქოსის პალმა, ბოსტნეული, ხილი). მისდევენ თევზჭერას. ტრანსპ. ერთადერთი სახეობაა კანოე. გააქვთ კოპრი.

კირიგუა (Quiriguá), მაიას ტომის ძვ. ქალაქი. დააარსეს ძვ. წ. VII ს. II ნახევარში მდ. მოტაგუის ველზე (ახლანდ. გვატემალა) კოპანიდან გადმოსულმა ტომებმა. ჰ. დაეცა IX ს-ში. მისი ნანგრევები მოგვიანებით შეისწავლეს ინგლ. (ა. მოდსლი) და ამერ. (ამერ. არქეოლ. ინ-ტი და კარნეგის ინ-ტი) მეცნიერებმა. ცნობილია ჰ-ს მაღლივი ოთხწახნაგა სტელები და მითურ არსებათა უცნაური ქანდაკებანი.

კირილე ბელოზერსკის მონასტერი, მამათა მონასტერი ჩრდ. რუსეთში (ახლანდ. ქ. კირილოვი, ვოლოგდის ოლქი). დააარსა კირილე ბელოზერსკიმ 1397. კომპლექსში შედის ყოფ. მიძინებისა და ივანეს მონასტრების („ძველი ქალაქი"), „ახალი ქალაქის" და სხვ. ნაგებობათა ანსამბლები. მონასტერი შემოხღუდულია კოშკებიანი კედლებით (XVI ს.; „ახალი ქალაქის" კედლები — 1653—82, მშენებლები კ. სერკოვი, ს. შამი). ანსამბლის მთავარი ნაგებობაა მიძინების ტაძარი (1497—98, ხუროთმოძღვარი პროხორ როსტოველი). ანსამბლში შედის აგრეთვე გაბრიელ მთავარანგელოზისა (1531—34) და სხვ. ეკლესიები. ჰ. ბ. მ. 1924-იდან ისტ.-არქიტ. და სამხატვრო მუზეუმ-ნაკრძალია.

კირილე და მეთოდე, სლავი განმანათლებლები, ქრისტიანობის მქადაგებლები, რ-ებმაც შექმნეს სლავური ანბანი და ბერძნულიდან სლავურ ენაზე პირველად თარგმნეს საღვთო წიგნი. კირილე (მონაზონობამდე, 869 დასაწყისამდე — კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე) (დაახლ. 827 — 14. II. 869) და მისი უფროსი ძმა მეთოდე (დაახლ. 815 — 6. IV. 885) დაიბადნენ თესალონიკეში (სოლუნი). კირილემ განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში ბიზანტ. იმპ. მიქაელ III-ის კარზე. მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ფოტიოსი იყო. იცოდა სლავ., ბერძნ., ლათ., ებრ. და არაბ. ენები.

მეთოდე სამხ. სამსახურში იყო, შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა. 60-იან წლებში პოლიქრონის მონასტრის იღუმენი გახდა. 863 ჰ. და მ. ბიზანტიის იმპერატორმა მორავიაში გაგზავნა სლავურ ენაზე ქრისტიანობის საქადაგებლად. გამგზავრების წინ კირილემ შექმნა სლავური ანბანი და მეთოდეს დახმარებით ბერძნულიდან სლავურ ენაზე თარგმნა რამდენიმე საღვთისმსახურო წიგნი. ჰ-სა და მ-ს ქადაგებებმა სლავურ ენაზე მორავიაში საფუძველი ჩაუყარა ეროვნ. ეკლესიას. 866 (ან 867) ჰ. და მ. პაპი ნიკოლოზ I-ის მოთხოვნით რომში ჩავიდნენ. კირილე რომში გარდაიცვალა. მეთოდე მორავიისა და პანონიის არქიეპისკოპოსად დაინიშნა. 882—84 მეთოდე ბიზანტიაში ცხოვრობდა. 884 მორავიაში დაბრუნდა და ბიბლიის სლავურ ენაზე თარგმნას შეუდგა. თავიანთი მოღვაწეობით ჰ-მ და მ-მ საფუძველი ჩაუყარეს სლავ. დამწერლობასა და ლიტ-რას.

ლიტ.: Грацианский Н., Деятельность Константина и Мефодия в Великоморавском княжестве, «Вопросы истории», 1945, № 1.

კირილენკო ანდრია პავლეს ძე [დ. 26. VIII (8. IX). 1906, ალექსეევკა, ახლანდ. ბელგოროდის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1966, 1976). სკკპ წევრი 1931-იდან. პროფტექ. სკოლის დამთავრების (1925) შემდეგ მუშაობდა ვორონეჟის ოლქში სხვადასხვა საწარმოსა და მაღაროში. 1929—30 იყო კომკავშირულ, საბჭ. და კოოპ. სამუშაოზე. რიბინსკის საავიაციო ინ-ტის დამთავრების შემდეგ, 1936-იდან, ინჟინერ-კონსტრუქტორია. მუშაობს საავიაციო ქ-ნაში. 1938 უკრ. კპ(ბ) ქ. ზაპოროჟიეს ვოროშილოვის რაიკომის მეორე მდივანი, 1939—41 — უკრ. კპ (ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1941—42 საბჭ. არმიაში იყო სამხრ. ფრონტის მე-18 არმიის სამხ. საბჭოს წევრი, 1942—44 — თავდაცვის სახელმწ. კომიტეტის რწმუნებული საავიაციო ქ-ნაში. 1944—47 — უკრ. კპ(ბ) ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1947—50— პარტიის ნიკოლაევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1950—55 — დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი, ხოლო 1955—62 — სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1962 მაისიდან 1966 აპრილამდე — სკკპ ცკ-ის რსფსრ ბიუროს თავ-რის I მოადგილე. 1966 აპრილიდან — სკკპ ცკ-ის მდივანი. საკ. კპ(ბ) XIX—XXV ყრილობების დელეგატი. XX, XXII, XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. 1957—61 — სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი. 1962 აპრ-ილან 1966 აპრ-მდე სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი. 1966 აპრ-იდან სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. სკკპ დელეგაციის წევრი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის თათბირზე. ხელმძღვანელობდა სკკპ დელეგაციებს ჩილეს (1965), საფრ. (1970—76) კომპარტიის ყრილობებზე და სკკპ დელეგაციას იტალიაში (1968). სსრკ III—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რსფსრ V—VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი. უკრ. სსრ II—III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

კირილე ტუროველი (დაახლ. 1130, ქ. ტუროვი, ახლანდ. გომელის ოლქი, — არა უგვიანეს 1182), რუსი სასულიერო მწერალი, მქადაგებელი, ტუროვის ეპისკოპოსი. დაწერა 8 საეკლესიო „სიტყვა", 3 „დარიგება", 13 ლოცვა და სხვ. ჰ-ს საზეიმო „სახოტბო ქადაგებები" გამოირჩევა მაღალი ორატორული ხელოვნებით.

კირილინი ვლადიმერ ალექსის ძე [დ. 7 (20). I. 1913, მოსკოვი], საბჭ. პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, ენერგეტიკისა და თბოფიზიკის დარგის სპეციალისტი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1962). სკკპ წევრი 1937-იდან. 1936 დაამთავრა მოსკ. ენერგეტიკის ინ-ტი, მუშაობდა კაშირის სრესში, შემდეგ მოსკ. ენერგეტ. ინ-ტში (1952-იდან პროფესორი). დიდი სამამულო ომის პერიოდში(1941—45) მსახურობდა სამხ. საზღვაო ფლოტში. 1954—55 იყო სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე, 1955—სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ახალი ტექ. სახელმწ. კომიტეტის თავ-რის მოადგილე, 1955—62 — სკკპ ცკ-ის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების განყ-ბის გამგე. 1963—65 — სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, 1965—79 სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე და სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტის თავ-რე.

ჰ-ის ძირითადი გამოკვლევები ეხება სხვადასხვა ნივთიერების თბოფიზ. თვისებებს, კერძოდ, წყლისა და წყლის ორთქლის, მძიმე წყლისა და მისი ორთქლის თვისებებს მაღალი პარამეტრების დროს, მაღალ ტემპ-რაზე მრავალი მყარი ნივთიერების თერმოდინ. თვისებების შესწავლას და სხვ. 1961-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატია, 1966-იდან — წევრი. სსრკ VI—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სსრკ სახელმწ. (1951) და ლენინური (1959) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Основы экспериментальной термодинамики, М.—Л., 1950 (თანაავტ.: А. Е. Шейдлин); Термодинамические свойства газов, М., 1953 (თანაავტ.); Техническая термодинамика, 7 изд., М., 1968 (თანაავტ.); Тяжелая вода, М.—Л., 1963 (თანაავტ.).

კირილიცა, იხ. *სლავური ანბანი.*

კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე ს ა ძ ა გ ლ ი შ ვ ი ლ ი) (10. XI. 1855, ქვემო ნიქოზი, გორის რ-ნი, — 26. VIII. 1918, მარტყოფი), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917—18, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი. წერდა „ივერიელისა" და „ნიქოზელის" ფსევდონიმით. 1876 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1880 — კიევის სას. აკადემია. ამავე წლიდან დაინიშნა ოდესის სას. სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა გორის, ქუთ. და თბილ. სას. სასწავლებლებში. 1896, მეუღლისა და შვილების გარდაცვალების შემდეგ, ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1898 აკურთხეს ალავერდის, ხოლო 1901 — გორის ეპისკოპოსად. აქტიურად იბრძოდა ქართ. ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც რუს. სას. ხელისუფალნი სასტიკად დევნიდნენ. 1902 გადაიყვანეს კამენეც-პოდოლსკში, 1903 — კოვნოში. 1908 ჩამოართვეს ეპარქია, გაგ-



ზავნეს ჯერ კურიაჟში, შემდეგ — სანაქსარის მონასტერში. 1912 გადაიყვანეს ხერსონში. 1915 დაუბრუნეს ეპარქიის მართვის უფლება და ვიტებსკის ეპარქია ჩააბარეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ აკურთხეს საქართვ. კათალიკოს-პატრიარქად. კ. II ავტორია ისტ., არქეოლ. და ფილოლ. ხასიათის გამოკვლევებისა. სხვა მრავალ საარქივო დოკუმენტთან ერთად მან მიაკვლია ისეთ უნიკალურ ძეგლებს, როგორიცაა პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ძვ. ქართ. თარგმანი და „კორიდეთის ოთხთავი"; აგროვებდა ძვ. ხელნაწერებს, ქართ.-ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ძვ. ქართ. მონეტებს. 1911 თავისი მდიდარი არქივი გადასცა საქართვ. საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ბას. მისი ინიციატივით პეტერბ. სას. აკადემიაში დაარსდა აღმ. ეკლესიათა ისტ. კათედრა, რ-იც ქართ. ეკლესიის ისტორიასაც სწავლობდა. კ. II დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართვ. ახალგაზრდობის მიმართ. მისი დახმარებით ორიოლის სას. სემინარიაში 400-მდე ქართველი სწავლობდა. მის ხარჯზე 15 ქართვ. სტუდენტმა მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთსა და საზღვარგარეთ. კ. II-მ დიდი ამაგი დასდო ქართ. კულტურის პოპულარიზაციას რუსეთსა და უცხოეთში. მან ბევრ უცხოელ მკვლევარს გაუცხოველა ინტერესი საქართვ. წარსულისადმი. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

თხზ: საქართველოს ძველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა, «მწყემსი», 1891, №18; ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა მამისა ანტონ მესვეტისა საკვირველთ-მოქმედისა მარტყოფელისა, ტფ., 1899; წმიდა დავით III, აღმაშენებელი, მეფე ქართველთა (1089—1125), ტფ., 1899; Давид Гареджели и его лавра, Тфл., 1901; Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества, Тфл., 1899; Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901; Культурная роль Иверии в истории Руси, Тфл., 1910; Характер Грузинской (Иверской) церкви и ее значение для православия, «Пастырь», 1886, № 3. *ე. აბრამიშვილი.*

კირიუ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში, მდ. ვატარასის ნაპირზე, გუმის პრეფექტურაში. 243 ათ. მცხ. (1975). სარკინიგზო კვანძი. იაპ. აბრეშუმის ნაწარმის დამზადების ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ცენტრი. კვების მრეწველობა. ავტომატური სასწორებისა და სავაჭრო ქსელის მოწყობილობის წარმოება.

კირიში, ქალაქი (1965-მდე დაბა) რსფსრ ლენინგრადის ოლქში, მდ. ვოლხოვის მარჯვ. ნაპირზე. რკინიგზის სადგური ლენინგრ.—მოსკ. ხაზზე. ნავთობგადასამუშ. ქ-ნა. სრესი. საშენ მასალათა წარმოება, კვებისა და მსუბუქი მრეწვ. საწარმოები.

კირიხლო, სოფელი მარნეულის რ-ნში (ყულარის სოფსაბჭო), მარნეულის ვაკეზე. ზ. დ. 325 *მ*, მარნეულიდან 24 *კმ*. ყულარის მეცხვნეობის საჯიშე საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, ბ-კა, მედპუნქტი.

კირკი (Kirk) ჰანს რუდოლფ (11. I. 1898, ჰადსუნი, — 16. VI. 1962, კოპენჰაგენი), დანიელი მწერალი. კომუნისტი 1925-იდან. დანიის ოკუპაციის პერიოდში, 1941, საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც გაიქცა 1943. თავის შემოქმედებაში ეყრდნობოდა დან. ლიტ-რის კლასიკურ ტრადიციებს, იცავდა მარქსისტული ესთეტ. პრინციპებს. კ-ის თხზულებათაგან აღსანიშნავია რომანები „მეთევზეები" (1928), „დღიური მუშა" (1936), „ახალი დროება" (1939), ისტ. რომანი „მონა" (გამოქვეყნდა 1948), პუბლიც.-ანტიფაშისტური რომანები „ეშმაკის ფული" (1952), „კლიტგორდი და შვილები" (1952), მოთხრობათა კრებულები, ნოველები და სხვ.

კირკიტა (Falco tinnunculus), მტაცებელი ფრინველი *შავარდნისნაირთა* რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 31—38 *სმ* აღწევს, მასა 250 *გ*-მდე. შეფერილობაში ჭარბობს წითური ფერი. გვხვდება ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საკმაოდ ბევრია საქართველოშიც. ბინადრობს ტყეში, ველზე, ნახევრად უდაბნოშიც. ბუდეს იკეთებს ხეზე, კლდის ან ფლატის ნაპრალებში. დებს 4 კვერცხს. იკვებება პატარ-პატარა მღრღნელებითა და მწერებით, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვს სოფ. მეურნეობისათვის. *მ. კუტუბიძე.*

კირკიტა.

კირანეული თეთრი, XIII—XV სს. დასავლურქართული ვერცხლის ფული. სახელი მომდინარეობს ბერძნ. სიტყვებიდან „კირ" და „მანუელ" (ბატონი მანუელი) და დაკავშირებულია ტრაპიზონის კეისრის მანუელ I-ის (1238—63) სახელთან. მონეტის შუბლზე გამოსახულია მეფე და დამახინჯებული ბერძნულით აწერია ტრაპიზონის კეისრების მანუელის ან იოანეს სახელი. კეისრის ფეხთან გამოხატულია ექვსქიმიანი ვარსკვლავი (ე. წ. „სოლომონის ბეჭედი"); ზურგზე ტრაპიზონის იმპერიის მფარველის წმ. ევგენის გამოსახულებაა და ბერძნულად აწერია წმინდანის სახელი.

ტრაპიზონის იმპერიაში მოჭრილი ასპრი ფართოდ გავრცელდა დას. საქართველოში, ხოლო მას შემდეგ, რაც მისი შემოტანა შეწყდა, იჭრებოდა მისი მინაბაძები, რ-საც კირმანეული ეწოდა.

ლიტ.: აბრამიშვილი თ., XIII—XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული), თბ., 1959; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; Пахомов Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

ი. ჯალაღანია.

კირნათი, სოფელი აჭარის ასსრ ხელვაჩაურის რ-ნში, მდ. ჭოროხის მარჯვ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., გვარა, კობალეთი, მარადიდი, ძაბლავეთი). ზ. დ. 320 *მ*, ხელვაჩაურიდან 18 *კმ*. კირნათის კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეხილეობა). 3 დაწყ. სკოლა, საშ. სკოლა-ინტერნატი, კლუბი, ბ-კა, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კირნათი (ყოფ. სული), სოფელი აფხ. ასსრ გულრიფშის რ-ნში (წებელდის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთისწინეთში. ზ. დ. 800 *მ*, გულრიფშიდან 40 *კმ*. წებელდის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. აბლუბვარაში (1 *კმ*).

კიროგა (Quiroga) ორასიო (31. XII. 1878, სალტა, — 19. II. 1937, ბუენოს-აირესი), ურუგვაელი მწერალი. განიცდიდა ე. *პოს* და შ. *ბოდლერის*, მოგვიანებით ჯ. *კიპლინგის* გავლენას. ლექსების პირველი კრებ. „მარჯვნის რიფები" 1901 გამოაქვეყნა. მისი პროზაული ნაწარმოებები მრავალფეროვანია. კრებულები „მოთხრობები სიყვარულზე, სიგიჟესა და სიკვდილზე" (1917), „სელვის ზღაპრები" (1918), „ველური" (1920), „ანაკონდა" (1921), „განდეგილნი" (1926), „გაღმა" (1935) და სხვ. ეგზოტიკურ სურათებს ხატავს. კ. წერდა ფილოს. და სიმბოლური ხასიათის თხზულებებსაც.

კიროვაბადი (1804-მდე და 1918-იდან 1935-მდე განჯა, 1804-იდან 1918-მდე ელიზავეტპოლი, 1935-იდან სახელი გადაერქვა ს. *კიროვის* პატივსაცემად), ქალაქი აზერბ. სსრ-ში, მდ. განჯაჩაის (მტკვრის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური ბაქო—თბილისის ხაზზე. საავტ. გზების კვანძი. 232 ათ. მცხ. (1979).

დაარსდა V ს-ში. XII—XIII სს-ში იყო აზერბ. ვაჭრობა-ხელოსნობისა და კულტ. დიდი ცენტრი. არაერთხელ აუოხრებიათ ირანელებს, თურქებს, მონღოლებსა და სხვ. XVIII ს-ში *განჯის სახანოს* ცენტრია. 1804 შეუერთდა რუსეთს. XX ს. დამდეგს შეიქმნა ელიზავეტპოლის ს.-დ. ორგანიზაცია. აქ მოღვაწეობდნენ მ. *აზიზბეკოვი*, ბ. კნუნიანცი, ნ. ნარიმანოვი, ს. *შაუმიანი* და სხვ. 1917—20 ქალაქში ბატონობდნენ კონტრრევ. პარტიები და უცხოელი ინტერვენტები. 1920 წ. 1 მაისს კ-ში შევიდნენ მე-11 წითელი არმიის ნაწილები. კ. არის *ნიზამი განჯეეის* სამშობლო. აქ გარდაიცვალა და 1893-მდე დასაფლავებული იყო ეკლესიის გალავანში ნ. *ბარათაშვილი*. ამჟამად კ. რესპუბლიკის დიდი სამრეწვ. და კულტ. ცენტრია (ბაქოს შემდეგ). განვითარებულია მსუბუქი და კვების მრეწველობა. ვითარდება მძიმე მრეწველობა. ზაგლიქის ალუნიტების საბადოს ბაზაზე შექმნილია ალუმინის მრეწველობა. არის ხელსაწყოთმშენებლობა, საშენ მასალათა წარმოება.

ძვ. განჯის ტერიტორიაზე შემორჩენილია ციხესიმაგრეთა კედლების, კოშკებისა და ხიდების ნაშთები (XII ს. — XIII ს. დასაწყ.). ძვ. განჯის ჩრდ.-აღმ-ით ჰოი-იმამის ან იმამზადეს საკულტო კომპლექსია (მავზოლეუმი XIV—XVII სს., XVII ს-ში დაემატა მეჩეთი და აკლდამა). კ-ის ტერიტორიაზე შემორჩენილია აგრეთვე ჯუმა-მეჩეთი (1606, ხუროთმოძღვარი ბახაადინი). კ-ის ახ. შენობებიდან აღსანიშნავია: პიონერთა სასახლე (1948, არქიტ. რ. ბოიაჯიანი), პედ. ინ-ტი (1940, არქიტ. ს. დადაშევი, მ. უსეინოვი), ადმ. შენობა ვ. ი. ლენინის სახ. მოედანზე (1961, არქიტ. ე. ისმაილოვი, ფ. ლეონტიევა). ნიზამის ძეგლი (1946, მოქანდაკე ფ. აბდურაჰმანოვი, არქიტ. ს. დადაშევი, მ. უსეინოვი) და მავზოლეუმი (1947, არქიტ. ა. სარქისოვი, ი. ვახუტინი).

კ-ში არის სას.-სამ. და პედ. ინ-ტები, აზერბ. პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, მსუბუქი მრეწვ., პოლიტექ., სამშენებლო და სას.-სამ. ტექნიკუმები, სამედ., პედ. და სამუსიკო სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დრამ. თეატრი. ტელეცენტრი.

კიროვაბადი. ნიზამის მავზოლეუმი. 1947. არქიტექტორები ა. სარქისოვი, ი. ვახუტინი.

კიროვაბადული სუფრისა, განჯური, თეთრი თავრიზი, თვთრ-ყურძნიანი ვაზის სასუფრე ჯიში. ფართოდაა გავრცელებული აზერბაიჯანში, უფრო ცოტაა დაღესტნის, სტავროპოლის, როსტოვის, ყირიმისა და სხვ. რ-ნებში. საქართველოში გაშენებულია უმთავრესად თბილ. საგარეუბნო ზონაში, იყენებენ საკარმიდამო ნაკვეთებში ხეივნების გასაშენებლად. ვაზი ძლიერმოზარდია, მოსავლიანობა საშუალო აქვს. აზიანებს ფილოქსერა, რის გამოც საჭიროა ფილოქსერაგამძლე საძირეზე დამყნობა. ყურძენი მწიფს შუა სექტ-ში. ნაყოფს სასიამოვნო ტკბილი გემო აქვს, კარგად ინახება, ტრანსპორტაბელურია. *რ. რამიშვილი.*

კიროვაბადული სუფრისა.

კიროვაკანი (1935-მდე ყარაქილისა, სახელი გადაერქვა ს. *კიროვის* პატივსაცემად), ქალაქი სომხ. სსრ-ში, ბაზუმისა და ბამბაკის ქედებს შორის, 1350 *მ* სიმაღლეზე. რკინიგზის სადგური თბილისი—ერევნის ხაზზე. საავტ. გზების კვანძი. 146 ათ. მცხ. (1979). აღმოცენდა ბრინჯაოს ხანის დასახლებისა და სამაროვნის ადგილზე. 1826 დასახლ. პუნქტები დიდი და პატარა ყარაქილისა გაერთიანდა ქალაქ ყარაქილისად. მის განვითარებას ხელი შეუწყო XIX ს. ბოლოს თბილისი—ყარაქილისა—ალექსანდროპოლის (ახლანდ. ლენინაკანი) რკინიგზის გაყვანამ. თანამედროვე კ. რესს. დიდი სამრეწვ. ცენტრია. წამყვანია ქიმ. მრეწვ. (ქიმ. კომბინატი, ქიმ. ბოჭკოს ქ-ნა). განვითარებულია აგრეთვე მანქანათსაშ. და კვების მრეწველობა. არის საფეიქროსატრიკოტაჟო, სამკერვალო, სართავი ფ-კები; საშენ მასალათა წარმოება. თეატ. კ-ის ტერიტორიაზე შემონახულია ძვ. წ. II ათასწლ. ნაგებობანი. საბჭ. პერიოდში ქალაქი კეთილმოეწყო. ცენტრ. მოედანზე (კიროვის მოედანი, ს. კიროვის ძეგლი, 1942, მოქანდაკე ა. სარქისიანი) ბევრი საზ. შენობაა, მ. შ. სომხ. კპ კ-ის საქალაქო კომიტეტის შენობა (1952—53, არქიტ. ზ. ბახშინიანი); შაუმიანის მოედანზე აღმართულია სამამულო ომში დაცემულ მეომართა ძეგლი (1967, მოქანდაკე ა. სარქისიანი, არქიტ. გ. ოვსეპიანი, ა. კანაიანი, ა. მირზოიანი). 1970-იან წწ. ნაგებობათაგან აღსანიშნავია

კიროვაკანი. კიროვის მოედანი.

ს. კიროვი.

უნივერმაღის შენობა (1972, არქიტ. ს. ასოიანი, რ. აბრამიანი), სურათების გალერეა (1972, არქიტ. ლ. ხაჩატრიანი). ჰ-ში არის პედ. ინ-ტი, ერევნის პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი; ხელსაწყოთსაშენებლო, ქიმ.-ტექნოლ., სამშენებლო და სავაჭრო-ეკონ. ტექნიკუმები, საბჭ. მეურნ.-ტექნიკუმი, სამუსიკო და სამედ. სასწავლებლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დრამ. თეატრი. ქალაქში და მის მიდამოებში — სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და ტურბაზა.

** КИРОВАКАНИ,** სოფელი ახალქალაქის რ-ნში (კუმურდოს სოფსაბჭო), ახალქალაქის ვაკეზე. ზ. დ. 1730 *მ*, ახალქალაქიდან 9 *კმ*. ვაჩიანის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭ. მეურნეობა (მემინდვრეობა, მესაქონლეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა.

КИРОВАКАНИС ГОРАСАМАРХИ, ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური ძეგლი ქ. კიროვაკანში (სომხ. სსრ). 1948 გათხარეს (ბ. პიოტროვსკი) მდიდარი მესაქონლე ტომის ბელადის კრეატიული სამარხი, რ-შიც ოქროს, ვერცხლისა და თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს იარაღი იყო. აღმოჩენილი მასალა ამ ხანის ამიერკავკ. მაღალი კულტ. მაჩვენებელია და დაკავშირებულია წინა აზიის დას. ნაწილის ქვეყნებთან. ანალოგიური მასალა აღმოჩენილია თრიალეთსა (იხ. *თრიალეთის კულტურა*) და კახეთში.

КИРОВОГРАДИ (1936-მდე კ ი ს ვ ა ტ ა), ქალაქი (1932-იდან) რსფსრ სვერდლოვსკის ოლქში. რკინიგზის ტოტის ბოლო სადგური (ექვეკავია). სპილენძსადნობი კომბინატი მაღაროებით, გამამდიდრებელი ფ-კითა და სპილენძსადნობი ქ-ნით (დაარსდა 1912), სალი შენადნობების ქ-ნა. საღამოს სამთო-მეტალ. ტექნიკუმი.

КИРОВИ (პარტ. ფსევდ.; ნამდვ. გვარი კ ო ს ტ რ ი კ ო ვ ი) სერგეი მირონის ძე [15 (27). III. 1886, ურჟუმი, ახლანდ. კიროვის ოლქი, — 1. XII. 1934, ლენინგრადი], კომუნისტური პარტიისა და საბჭ. სახელმწიფოს მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1904-იდან. 1897—1901 სწავლობდა ურჟუმის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ყაზანის მექან.-ტექ. სასწავლებელში, რ-იც 1904 დაამთავრა. 1905 ოქტ-ში ხელმძღვანელობდა სადგ. ტაიგის რკინიგზელთა გაფიცვას. 1909 მაისში პოლიციისაგან მალულად გაემგზავრა ვლადიკავკაზში (ახლანდ. ორჯონიკიძე), სადაც სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკურ ორგანიზაციას, მუშაობდა გაზ. „ტერეკში", 1912 ნოემბ. აქვე მოათავსა სტ. „ზნეობის სისადავე" „ს. კიროვის" ხელმოწერით (შემდეგში ეს გვარი გახდა მისი პარტ. ფსევდონიმი). ახ. რევ. აღმავლობისა (1910—14) და I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ჰ. სათავეში ჩაუდგა მთელ ბოლშევიკურ პოლიტ. მუშაობას ჩრდ. კავკასიაში. 1917 თებ. რევ. შემდეგ იგი აირჩიეს ვლადიკავკაზის საბჭოს წევრად. 1917 ოქტ. სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობის დელეგატი იყო, უშუალოდ მონაწილეობდა ოქტ. შეიარაღებულ აჯანყებაში პეტროგრადში. შემდეგ დაბრუნდა ვლადიკავკაზში და სათავეში ჩაუდგა თერგის მშრომელთა ბრძოლას საბჭ. ხელისუფლებისათვის, მონაწილეობდა თერგის ხალხთა II საოლქო ყრილობის მუშაობაში (1918 თებ.-მარტი, პიატიგორსკი), რ-მაც საბჭ. ხელისუფლება გამოაცხადა ჩრდ. კავკასიაში. 1918 ნოემბ. მონაწილეობდა სრულიად რუს. საბჭოების VI ყრილობის მუშაობაში (როგორც თერგის ოლქის დელეგატი). 1918 დეკ. ბოლოს ჰ. ხელმძღვანელობდა ასტრახანიდან ჩრდ. კავკასიაში იარაღისა და სამხ. საჭურველის გადაზიდვას. მაგრამ ამ დროს ჩრდ. კავკასია თეთრებმა ჩაიგდეს ხელში და ჰ. იძულებული გახდა ასტრახანში დარჩენილიყო. 1919 თებ. იგი დანიშნეს ატსრახანის მხარის დროებითი სამხ. რევკომის თავ-რედ. ჰ. იყო ასტრახანის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. 1919 იანვ. ჰ-ისა და გ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით დაიწყო მე-11 არმიის შეტევა ჩრდ. კავკასიაში. 30 მარტს არმიამ დაიკავა ვლადიკავკაზი, ხოლო 1 მაისს ბაქოში დაეხმარა აჯანყებულ მუშებს მუსავატელების ხელისუფლების დამხობასა და საბჭ. ხელისუფლების აღდგენაში. 1920 წ. 29 მაისს ჰ. დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად მენშევიკურ საქართველოში. 1920 წ. 1—12 ოქტ. მეთაურობდა საბჭ. დელეგაციას, რ-საც პოლონეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება უნდა დაედო ქ. რიგაში. ჩრდ. კავკასიაში დაბრუნების შემდეგ (1920 ოქტ.) ჰ. აირჩიეს რკპ (ბ) ცკ-ის კავკ. ბიუროს წევრად. იგი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, ესწრებოდა ყრილობებს, პლენუმებს და აქტივის კრებებს. თავის გამოსვლებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართვ., რუსი და ამიერკავკ. სხვა ხალხების კავშირსა და მეგობრობას. რკპ(ბ) X ყრილობაზე (1921, მარტი) ჰ. აირჩიეს რკპ (ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატად. 1921 წ. 16—22 აპრ. ხელმძღვანელობდა მთიელთა ასსრ დამფუძნებელ ყრილობას (ვლადიკავკაზში). 1921 ივლ. დასაწყისში აირჩიეს აზერბ. კპ (ბ) ცკ-ის მდივნად. იყო ამიერკავკ. სფსრ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1922 დეკ.). რკპ (ბ) XII ყრილობაზე (1923 აპრ.) აირჩიეს რკპ (ბ) ცკ-ის წევრად. ტროცკისტულ-ზინოვიევურ ოპოზიციასთან ბრძოლის რთულ პირობებში ჰ. პარტ. დავალებით გაგზავნეს ლენინგრადში. 1926 აირჩიეს საკ. კპ(ბ) ლენინგრ. საგუბერნიო კომიტეტის და საკ. კპ(ბ) ცკ-ის ჩრდ.-დას. ბიუროს მდივნად, საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრად. ჰ-ის ხელმძღვანელობით ლენინგრ. პარტორგანიზაციამ დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალ. მშენებლობის ყველა ფრონტზე, იგი პრინციპულად იბრძოდა პარტიის ერთიანობისათვის, სხვადა-

КИРОВИС ОЛКИ

სხვა ჯგუფის ანტიპარტიული დაჯგუფებების (ტროცკისტები, ზინოვიეველები და სხვ.) წინააღმდეგ. 1930 წ. 19—20 ნოემბ. თბილისში, საქ. კპ(ბ) ცკ-ისა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთ. პლენუმზე, პარტიის თბილ. ორგანიზაციის აქტივთან ერთად, კ-მა გააკეთა მოხსენება შინაპარტ. მდგომარეობის შესახებ, სადაც ყველა კომუნისტს მოუწოდა მჭიდროდ დარაზმულიყვნენ საკ. კპ(ბ) ცკ-ის გარშემო. 1930-იდან კ. იყო. საკ. კპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, 1934-იდან — საკ. კპ(ბ) ცკ-ის ორგბიუროს მდივანი და წევრი; სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრი. მგზნებარე ტრიბუნი, პარტიის საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული კ. საბჭ. ადამიანებში უდიდესი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა. 1934 წ. 1 დეკ. იგი მოკლა კომუნისტური პარტიის მტერმა სმოლნში (ლენინგრადი). კ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და წითელი დროშის ორდენით. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

თხზ.: Избр. статьи и речи (1912—1934), М., 1957; ახალგაზრდობის შესახებ, თბ., 1939.

ლიტ.: მ ა ხ ა რ ა ძ ე ფ., ლეგენდად ქცეული ადამიანი, თბ., 1975; მ ო რ გ ო შ ი ა ა., ს. მ. კიროვი ჩრდილოეთ კავკასიაში, თბ., 1972; С и н е л ь н и к о в С. С., Киров, М., 1964.

კიროვი (1934-მდე ვ ი ა ტ კ ა, სახელი გადაერქვა ს. *კიროვის* პატივსაცემად), ქალაქი, რსფსრ კიროვის ოლქის ცენტრი, გაშენებულია მდ. ვიატკის გასწვრივ 20 *კმ*-ზე. დიდი სარკინიგზო კვანძი, სამდ. ნავსადგური. 390 ათ. მცხ. (1979). წყაროებში პირველად იხსენიება 1457 ხლინოვის სახელწოდებით. 1489 შეუერთდა მოსკ. სახელმწიფოს. 1781 ეწოდა ვიატკა და 1796 შექმნილი ვიატკის გუბ. ცენტრი გახდა. ცარიზმის დროს პოლიტპატიმართა გადასახლების ადგილი იყო. 1903 შეიქმნა რსდმპ ვიატკის კომიტეტი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 25 ნოემბ. (8 დეკ.).

კ-ში განვითარებულია მანქანათმშ., ლითონდამუშავება, ქიმ., მსუბუქი და კვების მრეწველობა. კ. ცნობილია სათამაშოების წარმოებით.

1784-იდან ქალაქი შენდება რეგულარული გეგმით. შემონახულია ტრიფონის მონასტრის მიძინების ტაძარი (1689), ნაგებობანი ქალაქის ბაღში (1835—39, არქიტ. ა. ვიტბერგი) და XVIII ს. — XIX ს. I ნახ. კლასიციზმის სტილის საცხოვრ. სახლები. საბჭ. ხელისუფლების წლებში ქალაქი რეკონსტრუირებულ იქნა (1970 დამტკიცდა ქალაქის პერსპექტიული განვითარების გენ. გეგმა), მთავარი ქუჩები და მოედნები გახსნილია მდინარისაკენ, ქალაქის ჩრდ. და სამხრ.-დას. რ-ნები განაშენიანდა ახ. საცხოვრ. სახლებით. აშენდა დრამ. თეატრი, საბჭოების სახლი და სხვ.

კ-ში არის პედ., სას.-სამ. და პოლიტექ. ინ-ტები; 8 საშ. სპეც. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის და სამხატვრო მუზეუმები. დრამ., თოჯინების, მოზარდ მაყურებელთა თეატრები. ტელეცენტრი.

კიროვი, ქალაქი (1936-მდე დაბა პ ე ს ო ჩ ნ ი ა) რსფსრ კალუგის ოლქში, მდ. ბოლვის (დესნის შენაკადი) ნაპირას. რკინიგზის სადგური (ფაიანსოვაია), კალუგიდან 160 *კმ*. თუჯსასხმელი, სამშენებლო ქაშანურის, აგურის, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქ-ნები, ხორცკომბინატი, რძის ქ-ნა, სამკერვალო ფ-კა. საღამოს ინდუსტრ. ტექნიკუმი. დაარსდა 1745.

კიროვი (ყოფ. ს ა ლ ო მ ი ნ ა ო), სოფელი ვანის რ-ნში, იმერეთის სამხრ. მთისწინეთში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ბაგინეთი). ზ. დ. 320 *მ*, ვანიდან 21 *კმ*, რაიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელში შემორჩენილია XVI ს. ეკლესიის ნანგრევები.

კიროვი, სოფელი ზუგდიდის რ-ნში (დარჩელის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 10 *მ*, ზუგდიდიდან 23 *კმ*. დარჩელის მეჩაიეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა.

კიროვი (ყოფ. ბ ა ღ ლ ე ბ ი), სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (ჯურუყვეთის სოფსაბჭო), გურიის დაბლობზე. ზ. დ. 80 *მ*, ლანჩხუთიდან 10 *კმ*. ჯურუყვეთის ს. კიროვის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. ჯურუყვეთში (2 *კმ*). ბ-კა.

კიროვი, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ჯვარისის სოფსაბჭო), მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 450 *მ*, ტყიბულიდან 38 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. სოფ. ოჯოლის კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. ოჯოლაში (5 *კმ*). ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. კ-შია ბარიტის წარმოება. ძველად სოფელს ლეჟერეთი ერქვა. ამ სახელითაა მოხსენიებული პირველად XVII ს. წყაროებში.

კიროვი (ყოფ. ლ ე ს ო რ ა), სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში, მდ. ჯეჯორის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., გულიანთა, ვეზური, ზამთარეთი, თამაგანი, კობეთი, ლეთი, ნადარბაზევი, ნაკრება, ნოგყაუ, საგილაზი, სტირმასიგი, ქასაგინი, ყეფსელთა, შუაჭალა). ზ. დ. 1400 *მ*, ჯავიდან 35 *კმ*. მეხორცეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. რძის ქ-ნა. საშ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კიროვისი, სოფელი დმანისის რ-ნში, გომარეთის პლატოზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ბახჩალარი, დაღარუნლო, ორმაშენი, ყიზილაჯლო, საჯა). ზ. დ. 1260 *მ*, დმანისიდან 14 *კმ*. საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

კიროვის ოლქი, შედის რსფსრ შემადგენლობაში. 1934 წ. 7 დეკ. შეიქმნა კიროვის მხარე, ხოლო 1936 წ. 5 დეკ-იდან ითვლება ოლქად. ფართ. 120,8 ათ. *კმ*². მოსახლ. 1662 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 64%. ცენტრი — ქ. კიროვი. კ. ო. მდებარეობს აღმ. ევრ. ვაკის ჩრდ.-აღმ-ში. ოლქის ტერიტორიაზე მიედინება ძირითადად ვიატკის აუზის მდ-ები. ფართობის 60% შემოსილია ტყით.

მრეწვ. ძირითადი დარგებია: სატყეო (მ. შ. ხე-ტყის დამზადება, ხის დამუშავება, სახლთმშენებლობა და ქალაღდის მრეწვ.), მანქანათმშ., შავი და ფერადი მეტალ., ქიმ., საშენ მასალათა წარმოება. კ. ო-ში მოიპოვება ფოსფორიტები. განვითარებულია მსუბუქი (ტყავის, ბეწვეულის) და კვების მრეწვ., სათამაშოების წარმოება. დიდი სამრეწვ. ცენტრებია: კიროვი, სლობოდსკოი, კოტელნიჩი, ომუტნინსკი. სოფ. მეურნ. სპეციალიზაციაა სარძეო და სახორცე მეცხოველეობაზე, მარცვლეულის (ჭვავი, შვრია, ხორბალი, ქერი, წიწიბურა), სვიის, სელისა და კარტოფილის წარმოებაზე. სანაოსნოა მდ. ვიატკა და მისი ზოგიერთი შენაკადი. ოლქი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1959).

კიროვის ყურე, ყ ი ზ ი ლ ა ღ ა ჯ ი, წყალმარჩხი ყურე კასპიის ზღვის სამხრ.-დას. ნაპირთან, მტკვრის ცელასა (აღმ.) და სარის ნ.-კ-ს (დას.) შორის. სიგრძე 28 *კმ*, 1950-იან წლებში ფართ. დაახლ. 550 *კმ*², ამჟამად შედარებით ნაკლებია. ნაპირები დაბალი და ჭაობიანია. კ. ყ. წყლის ფრინველების გამოსაზამთრებელი ადგილია. 1929-იდან შედის კიროვის სახ. ყიზილაღაჯის ნაკრძალში.

კიროვოგრადი (ყოფ. ე ლ ი ზ ა ვ ე ტ გ რ ა დ ი), ქალაქი, უკრ. სსრ კიროვოგრადის ოლქის ცენტრი, მდ. ინგულის (სამხრ. ბუგის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური. საავტ. გზების კვანძი. 237 ათ. მცხ. (1979). დაარსდა 1764 წმ. ელისაბედის ციხესიმაგრის მახლობლად, რ-იც ააგეს 1754 რუსეთის სამხრ. საზღვრების დასაცავად. 1897 ქალაქში შეიქმნა ს.-დ. წრეები, ხოლო 1902 ზაფხულში — რსდმპ ელიზავეტგრადის კომიტეტი. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 29 იანვ. 1941 წ. 4 აგვ-იდან 1944 წ. 8 იანვ-მდე კ. ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ.

კ. მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრია. მრეწვ. მთავარი დარგებია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება. განვითარებულია კვების და მსუბუქი მრეწველობა. ხის დასამუშ. და საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები. კ-ში არის პედ., სას.-სამ. მანქანათმშ. ინ-ტები, 9 საშ. სპეც. სასწავლებელი (მ. შ. მანქანათმშ., სოფ. მეურნ. მექანიზაციის, სამშენებლო ტექნიკუმები და სხვ.). მუს.-დრამ. და თოჯინების თეატრები, ფილარმონია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კიროვოგრადის ოლქი, შედის უკრ. სსრ შემადგენლობაში. შეიქმნა 1939 წ. 10 იანვ. ფართ. 24,6 ათ. *კმ*². მოსახლ. 1251 ათ. კაცი (1979), მ. შ. ქალაქად ცხოვრობს 52%. ცენტრი — ქ. კიროვოგრადი. მდებარეობს დნეპრის მარჯვ. ნაპირზე, დნეპრისპირა მაღლობის სამხრ. ნაწილში (სიმაღლე 269 *მ*-მდე). მთავარი მდ-ებია: დნეპრი, ინგული, სინიუხა, სამხრ. ბუგი. იღებენ მურა ნახშირს, გრაფიტს (ზავალიეში), გრანიტს და სხვ. განვითარებულია მანქანათმშ. და ლითონდამუშავება (ჰიდროტუმბოები, ელექტროაპარატურა და სხვ.). კვების (უმთავრესად შაქრის,



[1] კიევის ოლქი

 მ. კირპიჩოვი.



გ. რ. კირხპოფი.

ყველ-კარაქის, საფქვავი, ხორცის), მსუბუქი, ხის დასამუშ., მინა-ფაიფურ-ქაშანურის მრეწვ. და სხვ. საშენ მასალათა წარმოება. აგებულია კრემენჩუგის ჰესი. არის მარცვლეულის ნათესები (ხორბალი, სიმინდი, ჭვავი, ქერი). მოჰყავთ ტექ. კულტურები (შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა). მებაღეობა, მებოსტნეობა. სახორცე-სარძეო მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. სანაოსნოა დნეპრი (ნავმისადგომი სვეტლოგოოოდსკი).

КИРОВО-ЧЕПЕЦКИ, ქალაქი (1955-მდე დაბა) რსფსრ კიროვის ოლქში, მდების ჩეფცისა და ვიატკის შესართავთან, კიროვიდან 38 *კმ*. რკინიგზის ტოტით დაკავშირებულია კიროვ—იარის ხაზთან. 64 ათ. მცხ. (1977). თეატ. ლითონდასამუშ. და რკინაბეტონის ქ-ნები, სამკერვალო და სათამაშოების ფ-კები. კვების მრეწველობა.

КИРОВСКИ (1934-მდე— ХИБИНОГОРСКИ; სახელი გადაერქვა ს. *კიროვის* პატივსაცემად), ქალაქი (1931-იდან) რსფსრ მურმანსკის ოლქში. მდებარეობს ხიბინის მთების შტოქედებზე, დიდი ვუდიავრის ტბის ნაპირზე. ქ. აპატიტიდან გაყვანილი რკინიგზის ტოტის (22 *კმ*) ბოლო სადგური. კ-ში არის აპატიტის და ნეფელინის დიდი საბადოები. გამამდიდრებელი ფ-კა, აეროგზის ფ-კა. ლენინგრ. სამთო ინ-ტის საღამოს ფაკ-ტი, სამთო ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი, იუქსპორის მთის ზვავების მეტეოსადგური. ს. კიროვის სახლ-მუზეუმი. კ-შია მსოფლიოში უკიდურეს ჩრდ-ით მდებარე პოლარულ-ალპური ბოტან. ბაღი.

КИРОВСКИ, ქალაქი (1962-იდან) უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში, მდ. ლუგანის (ჩრდ. დონეცის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგ. გოლუბოვკიდან 4 *კმ*. ქვანახშირის მოპოვება. კვების მრეწვ. საწარმოები. სამთო-სატრანსპ. ტექნიკუმი.

КИРОВСКОЕ, ქალაქი (1958-იდან) უკრ. სსრ დონეცკის ოლქში, რკინიგზის სადგ. პოსტნიკოვოდან 22 *კმ*, ჩერნუხინო—ილოვაისკოეს ხაზზე. ქვანახშირის მოპოვება. რესორების ქ-ნა. პედსასწავლებელი.

КИРОН (КИРИОН) **I,** ქართლის კათალიკოსი 599—614/16. ძვ. ქართ. მწერლობას მის შესახებ ცნობები თითქმის არ შემოუნახავს. სომხ. წყაროებით, ქართველი იყო, ჯავახეთის სოფ. სკუტრიდან (საქუდრია). სიყმაწვილეში 15 წელი ტყვედ თუ მძევლად იყო სომხ. ე. წ. ბერძნ. საწილში, კოლონიის პროვინციაში, დაბა-ქალაქ ნიკოპოლისში. აქ მან მიიღო ბერძნ. განათლება და დიოფიზიტობა. შემდეგ გადავიდა ქ. დვინში, სომხ. მონოფიზიტურ საკათალიკოსო ცენტრში, სადაც დაუახლოვდა მონოფიზიტ პატრიარქს მოსეს, თვითონაც აღიარა მონოფიზიტობა და დაიკავა აირარატის გავარის ქორეპისკოპოსისა და დვინის კათოლიკე მონასტრის წინამძღვრის ხარისხები. სომხეთში 5 წლის სამსახურის შემდეგ ქართლის პრომონოფიზიტურად და სპარსოფილურად განწყობილი ძალების ხელშეწყობით იგი მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე ავიდა. არის ცნობა, რ-ის მიხედვითაც კ. I-ის სამწყსოში ამ დროს ეგრისის სამიტროპოლიტოც შედიოდა.

ქართლის ახ. კათალიკოსის სახელმწ., ეროვნ. და რელიგ. პოლიტიკა შეესაბამებოდა ქვეყნის წამყვანი სოც. და პოლიტ. ძალების განწყობილებას, ამის გამო კ. I-მა დიდი გავლენა მოიპოვა ქართლის როგორც სას., ისე საერო ცხოვრებაში. მისი აქტიურობითა და წარჩინებულთა მხარდაჭერით ქართლში საბოლოოდ გაიმარჯვა დიოფიზიტობამ, ხოლო ქვეყნის პოლიტ. ორიენტაციის კურსი ბიზანტიისაკენ წარიმართა. კ. I-მა მარჯვედ გამოიყენა შექმნილი საერთაშ. პოლიტ. ვითარება, ქვეყანას იდეოლოგიური დამოუკიდებლობა მოუპოვა და შეუდგა კარგად მოფიქრებული ეროვნ. პროგრამის განხორციელებას, რ-ის მთავარი იდეა იყო ახლად აღდგენილი პოლიტიკური „ყოველი ქართლის“ განსამტკიცებლად სასაზღვრო პროვინციების შერეული მოსახლ. საეკლ. მსახურებაში ქართული ენის დამკვიდრება (დენაციონალიზებული ქართველების და არაქართ. მოსახლეობის გასაქართველებლად) და სხვადასხვა ქრისტ. მრწამსის მიმდევართა ქალკედონიტობაზე დასაყოლიებლად უფრო მოქნილი ქრისტ. დოქტრინის შემუშავება. ამ ნიადაგზე ქართლის კათალიკოსსა და ცურტავის მონოფიზიტ ეპისკოპოს მოსეს შორის მწვავე კონფლიქტი მოხდა, რ-იც კავკ. ეკლესიების საბოლოო გათიშვით დამთავრდა. ქართ. ეკლესია დიოფიზიტურ მრწამსს დაადგა, სომხური — მონოფიზიტობის ერთგული დარჩა, ხოლო ალბანური ერთხანს მერყეობდა მათ შორის.

კ. I ფართო საერთაშ. ურთიერთობაში იყო ჩაბმული. მას რელიგიისა და ეკლესიის ორგანიზაციულ საკითხებზე მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან, იერუსალიმისა და სომხ. პატრიარქებთან, სპარს. სამეფოს უმაღლეს მოხელეებთან. ჩვენამდე მოაღწია რომის პაპის გრიგოლ დიდის ვრცელმა პასუხმა (ლათ. ენაზე) კ. I-ის ერთ-ერთ ეპისტოლეზე, აგრეთვე კ. I-ის მიმოწერამ სომხ. პატრიარქთან და გურგანის მარზპანთან (სომხ. ენაზე). ამ წერილების მიხედვით ჩვენ წინაშე წარმოდგება დიდად განათლებული, დახვეწილი ლიტ. გემოვნებისა და სტილის მქონე ადამიანი, თავდაჭერილი პოლემიკოსი, გონიერი და მტკიცე დიპლომატი, გავლენიანი სახელმწ. მოღვაწე.

614/16 ახლო აღმოსავლეთში გამარჯვებულმა ირანმა უარი თქვა იდეოლოგიურ საკითხებში შემწყნარებლობაზე და აქტიურად ჩაერია დამოკიდებული ქვეყნების რელიგ. ცხოვრებაში. მან ბიზანტ. იმპერიის საწინააღმდეგოდ მხარი დაუჭირა მონოფიზიტობას და მოსთხოვა თავისი ქვეშევრდომი ქვეყნების იერარქებს ეღიარებინათ იგი ან ექსორიაში წასულიყვნენ. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ხანებში დაკარგა ქართლის კათალიკოსის ტახტი კ. I-მაც. მის მიერ დაწყებული დიდი ეროვნ. საქმე დროებით შეფერხდა.

სპეც. ლიტ-რაში გამოთქმულია ვარაუდი კ. I-ისა და კიროს ფასისის მიტროპოლიტის (შემდეგში ალექსანდრიის პატრიარქის) იგივეობის შესახებ (იხ. აგრეთვე *კიროს ფასისელი*).

წყარო: არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1980; ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968, უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1975.

ლიტ: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 1, თბ., 1960, მისივე, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, «Известия Академии наук», 1908, VI серия, № 5. *ზ. ალექსიძე.*

КИРОС II დიდი (გ. ძვ. წ. 530), სპარსეთის მეფე ძვ. წ. 558—530, აქემენიდების სახელმწიფოს დამაარსებელი. მისი წარმომავლობის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს: ერთი ვერსიით, კ. მიდიის სამეფოში შემავალი პერსიდის მეფის კამბისე I-ისა და *ასტიაგეს* ასულის მანდანეს შვილი იყო, მეორე ვერსიით კი, მეფური წარმოშობისა არ ყოფილა. კ. II-მ გააერთიანა სპარს. ტომები (558), სათავეში ჩაუდგა ასტიაგეს წინააღმდეგ აჯანყებას (553) და მიდიელებისავე დახმარებით დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო იგი. მიდიასპარსეთის გაერთიანების (550) შემდეგ კ. II აგრძელებდა *კიაქსარეს* დაპყრობითს პოლიტიკას. 547 დაიმორჩილა ჩრდ. ასურეთი, კილიკია, ლიდია, დაიპყრო მცირე აზიის ბერძნ. ქ-ები, 545—539 — შუა აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო 539 ბაბილონი. მიდიის დედაქალაქი ეკბატანა კ. II-ის ვრცელი სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. კ. II-ს მიეწერება *პასარგადეს* დაარსება. შუა აზიის მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან სახელმწიფოს ჩრდ.-აღმ. საზღვრების დასაცავად კ. II-მ გაილაშქრა მასაგეტების წინააღმდეგ. პირველ ლაშქრობაში კ. II-მ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ დამარცხდა და დაიღუპა კიდეც. კ. II-ის მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება იყო დაპყრობილი ხალხების კულტ. ფასეულობათა მიღებათვისება და შემწყნარებლური პოლიტიკა ამ ხალხთა რელიგიისა და ადათებისადმი. კ. II-ის მოქნილი პოლიტიკის დადასტურებაა ებრაელების განთავისუფლება „ბაბილონის ტყვეობიდან“. მისდამია მიძღვნილი ძვ. აღმ. და ანტ. ლიტ-რის მთელი რიგი ნაწარმოებები (ქსენოფონტის „კიროპედია“ და სხვ.).

ლიტ: Фрай Р., Наследие Ирана, М., 1972.

КИРОС ФАСИСЕЛИ, КИРОС АЛЕქსანდრიელი (გ. 21. III. 642), ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი გამოჩენილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე. თეოლოგი და მონოთელიტური წვალების ერესიარქი. წყაროებიდან ჩანს, რომ 623-მდე უკვე ეპყრა ფასისის მიტროპოლიტის ტახტი. იგი ფაქტობრივად განაგებდა ლაზიკის საეკლ. და საერო ცხოვრებას. აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტ. იმპერიისა და სპარსელთა სამეფოს ომებში 626—629 წლებში. მისი სამიტროპოლიტო ქალაქი ფასისი იყო ბიზანტ. კეისრის ბაზა კავკასიაში ლაშქრობების დროს. ჩანს, კ. Ფ-ის მეშვეობით უკავშირდებოდნენ ბერძნებს ხაზარები, აფხაზები და იბერიელები.

კ. Ფ-მა ჰერაკლე კეისართან, სერგი კონსტანტინოპოლელთან და თეოდორე ფარანელთან ერთად შექმნა მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების გამაერთიანებელი ქრისტოლოგიური დოქტრინა, რ-იც მონოთელიზმის ან მონენერგეიზმის სახელით არის ცნობილი, და მისი ყველაზე აქტ. განმახორციელებელი გახდა. 631 კ. Ფ. ჰერაკლე კეისარმა ალექსანდრიის პატრიარქად გადაიყვანა და ეგვიპტის განმგებლობაც ჩაბარა. 633 კ. Ფ-მა გამოსცა 9 თავისაგან შემდგარი მონოთელიტური ტრაქტატი, რ-იც აღმოსავლეთის ეკლესიის გაერთიანების საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეგვიპტელმა თეოდოსიანებმა მიიღეს ეს მოძღვრება, მაგრამ შემარიგებლურ პოლიტიკას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მემარცხენე ქალკედონელებმა. ამასობაში ალექსანდრია არაბებმა აიღეს. ჰერაკლე კეისარმა კ. Ფ-ს ღალატი დასწამა და გადასახლება მიუსაჯა, მაგრამ კეისრის მემკვიდრეებმა მალე კვლავ დაუბრუნეს მას ძვ. უფლებები. VI მსოფლიო საეკლ. კრებამ (681) კ. Ფ. მწვალებლად მიიჩნია და მისი ნაწერები გაანადგურა.

სამეცნ. ლიტ-რაში გამოთქმულია მოსაზრება კ. Ფ-ისა, იმავე პერიოდის ეგვიპტის უპირველესი სახელმწ. მოღვაწის ალ-მუკაეკასისა და ქართლის კათალიკოსის *კირონ* (კირიონ) *I-ის* იგივეობის შესახებ.

ლიტ.: ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968; Болотов В. В., К истории императора Ираклия, «Византийский временник», 1907, т. 14, в. 1; Butler A., The Arab conquest of Egypt and the last thirty years of the Roman dominion, Oxf., 1902. *ზ. ალექსიძე.*

КИРПИЧОВ მიხეილ ვიქტორის ძე [11 (23). VIII. 1879, პეტერბურგი, — 10. I. 1955, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი თბოტექნიკისა და თბოფიზიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). პეტერბ. ტექნოლ. ინ-ტის დამთავრების (1907) შემდეგ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა პეტერბ. პოლიტექ. ინ-ტში. 1932—35 იყო მოსკ. ცენტრ. ქვაბტურბინის ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელი. 1933—55 მუშაობდა გ. კრჟიჟანოვსკის სახ. ენერგეტ. ინ-ტში. კ-მა საფუძველი ჩაუყარა თბურ დანადგარებში მიმდინარე პროცესების ფიზ. არსის შესწავლას და

აკად. მ. *მიხეევთან* ერთად შექმნა თბური მოდელირების თეორია. სსრკ სახელმწ. პრემია (1941). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Теплопередача, М.—Л., 1940 (თანაავტ.).

კირჟაჩი, ქალაქი რსფსრ ვლადიმირის ოლქში, მდ. კირჟაჩის (კლიაზმის შენაკადი) ნაპირზე რკინიგზის სადგური ალექსანდროვ—ორეხოვო-ზუევოს ხაზზე. აბრეშუმის კომბინატი, საინსტრუმენტო და საკონსერვო ქ-ნები, ავეჯის და სამკერვალო ფ-კები, სატყეო მრეწვ. მეურნეობა. ქ. ცნობილია XIV ს-იდან, 1778-იდან სამაზრო ქალაქი იყო.

კირსანოვი სემიონ ისაკის ძე [5 (18). IX. 1906, ოდესა, — 10. XII. 1972, მოსკოვი], რუსი საბჭ. პოეტი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1922-იდან. თანამშრომლობდა ვ. მაიაკოვსკისთან ჟურნ. „ლეფში". ავტორია პოემებისა „ხუთწლედი" (1931), „ამხანაგი მარქსი" (1933), „ახალი საუკუნის წინა ღამე" (1940), „კვირის 7 დღე" (1956), „ალექსანდრე მატროსოვი" (1946) და სხვ.; პუბლიც. ლექსებისა (კრებ. „ლექსები მწყობრში", 1932) და სხვ. ლექსად თქმული მოთხრობისათვის „მაკარ მაზაი" (1947—50) მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1951). ქ-ის პოეზიაში ლირ.-ფილოს. მოტივები ჭარბობს; გამოირჩევა რიტმის მრავალფეროვნებით. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

კირსანოვი, ქალაქი რსფსრ ტამბოვის ოლქში, მდ-ების პურსოვკისა და ვორონის შესართავთან. რკინიგზის სადგური, ტამბოვიდან 95 *კმ*. შაქრის, საფეიქრო მანქანათსაშ., ავტოსარემონტო, ყველ-კარაქის ქ-ნები, წისქილკომბინატი, მეფრინველეობის, საკონსერვო კომბინატები, სამკერვალო ფ-კები. ავიატექ. სასწავლებელი. საბჭ. მეურნ.-ტექნიკუმი, ზოოვეტ. ტექნიკუმი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქ. დაარსდა XVIII ს-ში, 1779-იდან სამაზრო ქალაქი იყო.

კირტინუო, მყინვარი ცენტრალური კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ჩეშურის აუზში (რიონის მარცხ. შენაკადი). ექსპოზიცია სამხრ.-დასავლეთური. სიგრძე 5,1 *კმ*, ფართ. 4,6 *კმ*². მყინვარის ენა ეშვება 2430 *მ* სიმაღლეზე. ფირნის ხაზი გადის 3150 *მ*-ზე. *რ. შენგელია.*

კირუნა (Kiruna), ქალაქი ჩრდ. შვეციაში, ნორბოტენის ლენში. 30 ათ. მცხ. (1977). რკინის მადნის მოპოვების უდიდესი ცენტრი დას. ევროპაში (მადნის მარაგი დაახლ. 2 მლრდ. ტ, რკინის შემცველობა მადანში 60—70%). გამამდიდრებელი ფ-კა. ქ-ის მახლობლად არის რკეტული პოლიგონი კოსმ. კვლევისათვის.

კირძვა, დანალექი ქანი; შედგება უმთავრესად კალციტისაგან, იშვიათად — არაგონიტისაგან, შეიძლება შეიცავდეს ტერიგენული ან აუტიგენური მინერალებისა და ქანების ნატეხებსაც. წარმოშობის მიხედვით განარჩევენ ბიოგენურ (ზოოგენურ, ფიტოგენურ), ქიმოგენურ და შერეული წარმოშობის ქ-ებს. ბგსდება ნამსხვრევი და მეტასომატური ქ-ებიც. მეტამორფიზმის შედეგად ქ. გადაიქცევა *მარმარილოდ*. ქ., ჩვეულებრივ, ილექება ზღვებში, იშვიათად — ლაგუნებშიც. იყენებენ მშენებლობაში, მეტალურგიაში, სოფ. მეურნეობაში. *გ. ჩიხრაძე.*

კირში (Kirsch) ზარა (დ. 16. IV. 1935, ლიმლინგეროდე), გერმანელი მწერალი ქალი. გდრ-ის თვალსაჩინო ლირიკოსი და პროზაიკოსი. ქ-ს ეკუთვნის ლექსთა კრებულები: „საუბარი დინოზავრთან" (რ. კირშთან ერთად, 1965), „ქვეყანაში ყოფნა" (1967), „ჩიტუნები წვიმაში ყველაზე ტკბილად გალობენ" (1968), „შელოცვანი" (1973); პროზაული თხზულებებიდან აღსანიშნავია „ქალი — ავაზა" (1973), „მთისოდენი საშინელი ტალღები ზღვაზე" (1974) და სხვ. ქ-ის ლექსების კრებულში „შელოცვანი" შედის ლექსების ციკლი საქართველოზე — „საქართველოს ფოტოგრაფიები" და ლექსი „ჯვარის მონასტერი". *ნ. კაკაბაძე.*

კირში (Kirsch) რაინერ (დ. 17. VII. 1934, დებელნი), გერმანელი მწერალი და მთარგმნელი. მის ლირიკაში დასმულია გდრ-ში სოციალ. მშენებლობის, წარსულის ფსიქიკის დაძლევის, წინსვლის სიძნელეებთან დაკავშირებული პრობლემები (კრებ. „საუბარი დინოზავრთან", 1965, ზარა კირშის თანაავტორობით). საქართველოზე დაწერილ ლექსთა შორის აღსანიშნავია „გზა სიღნაღისაკენ" (1968), „ბიჭვინთა" (1968) და სხვ. ქ-ს ეკუთვნის ნარკვევი ვაჟა-ფშაველაზე. თარგმნა ნ. ბარათაშვილის ყველა თხზულება (ორენოვანი გამოცემა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, თბ., 1968); ა. ენდლერთან ერთად ქ-მა შეადგინა ქართ. პოეზიის ანთოლოგია „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია" (2-ჯერ გამოიცა, 1971, 74), რ-შიც სხვა პოეტთა ლექსების თარგმანებთან ერთად შეეიდა ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური". ქ. 3-ჯერ იყო საქართველოში. *ნ. კაკაბაძე.*

კირშონი ვლადიმერ მიხეილის ძე [6(19). VIII. 1902, ნალჩიკი, — 28. VII. 1938], რუსი საბჭ. დრამატურგი, საბჭ. დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სკკპ წევრი 1920-იდან. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1922-იდან. მისი სცენარის მიხედვით გადაიღეს პირველი საბჭ. სათავგადასავლო ფილმი «ბრძოლა „ულტიმატუმისათვის"» (1923). პოპულარულია ქ-ის პიესები: „ლიანდაგი გუგუნებს" (1928), „ქართა ქალაქი" (1929), „ბური" (1930), „სასამართლო" (1933), „დიდი დღე" (1936) და სხვ.

კირჩხიბი (ლათ. Cancer), *ზოდიაქოს* ერთ-ერთი *თანავარსკვლავედი*. უბრწყინვალესი ვარსკვლავი 3,5 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა*. ამ თანავარსკვლავედშია *ვარსკვლავთა გროვა* M 44 (ბაგები), რ-იც შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა. 2 ათ. *წ*. წინათ (ასტრონ. ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პერიოდში) ამავე თანავარსკვლავედში იყო ზაფხულის *მზებუდობის* წერტილი, რის გამოც დედამიწის ჩრდ. ტროპიკს კირჩხიბის ტროპიკი ეწოდება. ქ-ზე დამზერის საუკეთესო პირობებია იანვ.-თებ-ში. ჩანს სსრკ-ის მთელი ტერიტორიიდან.

კირცხი, სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში, მდ. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ქ., სარაქონი). ზ. დ. 160 *მ*, ჩხოროწყუდან 10 *კმ*, ზუგდიდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 18 *კმ*. XX პარტყრილობის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მევენახეობა; ტუნგი), მეცხოველეობის კომპლექსი. დაწყ., რვაწლ. და საშ. სკოლები, 2 საბავშვო ბაღი, 2 კლუბი (კინოდანადგარი), 3 ბ-კა, საავადმყოფო, საფერშლო-სამეანო პუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში.

კირხნერი (Kirchner) ერნსტ ლუდვიგ (6. V. 1880, აშაფენბურგი, ბავარია,— 15. VI. 1938, ფრაუენკირხი, დავოსის მახლობლად, შვეიცარია), გერმანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და მოქანდაკე. ფერწერას სწავლობდა დამოუკიდებლად. ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი პირველი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი. 1905 ე. ჰეკელთან და კ. შმიდტ-როტლუფთან ერთად დააარსა გაერთიანება „ხიდი". 1915-იდან ცხოვრობდა შვეიცარიაში. ნაცისტების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ გარიცხეს პრუსიის სამხატვრო აკადემიიდან (წევრი იყო 1931-იდან) და მისი ნამუშევრები გაიტანეს გერმ. მუზეუმებიდან. თავი მოიკლა. ნამუშევრები: „მზის ამოსვლა ალპებში" (1917, ფ. ბაუერის საკუთრება, დავოსი), „ტყისმჭრელები" (დაახლ. 1930, კუნსტჰალე, ჰამბურგი) და სხვ.

კირხჰოფი (Kirchhoff) გუსტავ რობერტ (12. III. 1824, კენიგსბერგი, — 17. X. 1887, ბერლინი), გერმანელი ფიზიკოსი, ბერლინის მეცნ. აკად. წევრი (1874), პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1862). 1846 დაამთავრა კენიგსბერგის უნ-ტი. ბრესლაუს (1850) და ჰაიდელბერგის (1854) უნ-ტების პროფესორი. 1875-იდან ხელმძღვანელობდა ბერლინის უნ-ტის მათ. ფიზ. კათედრას. მისი ძირითადი შრომები ეხება ოპტ., ელექტროდინ., მექან. და სხვ. საკითხებს. 1847 გადაწყვიტა ამოცანა განშტოებულ ელექტრულ წრედებში ელექტრული დენების განაწილების შესახებ (იხ. *კირხჰოფის წესები*). 1859 ჩამოაყალიბა სითბური გამოსხივების ერთ-ერთი ძირითადი კანონი (იხ. *გამოსხივების კირხჰოფის კანონი*) და შემოიღო *აბსოლუტურად შავი სხეულის* ცნება. 1860 აღმოაჩინა სპექტრების შებრუნების წესი და ახსნა ბნელი ზოლები მზის სპექტრში; გამოთქვა მოსაზრება მზის ატმოსფეროს ქიმ. შედგენილობის შესახებ. რ. *ბუნზენთან* ერთად საფუძველი ჩაუყარა *სპექტრულ ანალიზს* (1859).

ლიტ.: Столетов А. Г., Густав Роберт Кирхгоф. Собр. соч., т. 2, М.—Л., 1941.

კირხჰოფის წესები, წესები, რ-ებიც ადგენენ თანაფარდობას მუდმივი ან *კვაზისტაციონარული დენის* განშტოებულ ელექტრულ წრედებში დენებისა და ძაბვებისათვის. ჩამოაყალიბა გ. *კირხჰოფმა* 1847. პირველი წესი ადგენს, რომ გამტარების განშტოების ნებისმიერ წერტილში (კვანძში) თავმოყრილი I_k დენების ალგებრული ჯამი ნულის ტოლია, ე. ი. $\sum_{k=1}^{n} I_k=0$; აქ n მოცემულ კვანძში თავმოყრილი დენების რიცხვია. ამასთან, კვანძში შემავალ ყველა დენს დადებითად თვლიან, იქიდან გამომავალს კი — უარყოფითად (ნახ. ა). მეორე წესის მიხედვით გამტარების *რთულ* წრედში გამოყოფილი ნებისმიერი ჩაკეტილი კონტურის ცალკეულ უბნებზე ყველა I_kR_k ძაბვის ვარდნის ალგებრული ჯამი უდრის ელექტრომამოძრავებელი ძალების ალგებრულ ჯამს ამ კონტურში, ე. ი. $\sum_{k=1}^{m} I_kR_k=\sum_{k=1}^{m} \varepsilon_k$, სადაც m არის უბნების რიცხვი ჩაკეტილ კონტურში (ნახ. ბ), I_k და R_k კი — k ნომრის მქონე უბნის დენის ძალა და წინაღობა.



კირხჰოფის წესები. მუდმივი დენის რთული წრედის გაანგარიშების წესები: 1. კირხჰოფის პირველი წესის მიხედვით წრედის p კვანძისათვის ჩაიწერება $p-1$ დამოუკიდებელი განტოლება (მაგ., ა ნახაზზე, $n=3$, $I_1+I_2-I_3=0$); 2. კირხჰოფის მეორე წესის მიხედვით p კვანძისა და r შტოსაგან (უბანი ორ მეზობელ კვანძს შორის) შედგენილი წრედისათვის ჩაიწერება $r-p+1$ დამოუკიდებელი განტოლება. ამ წესის გამოყენებისას აირჩევა კონტურის შემოვლის გარკვეული მიმართულება, რომელსაც დადებითი მიმართულება ეწოდება. თუ დენის მიმართულება ემთხვევა დადებით მიმართულებას, იგი აიღება პლუს ნიშნით, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი—მინუს ნიშნით. როცა წყაროს გავლისას ხდება უარყოფითი პოლუსიდან დადებითი პოლუსისაკენ გადასვლა, ემძ აიღება პლუს ნიშნით, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი—მინუს ნიშნით (მაგ., თუ ბ ნახაზზე, $m=3$, კონტურის დადებით მიმართულებად მიეიჩნევთ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებას, მაშინ:— $[I_1(R_1+r_1)+I_2(R_2+r_2)+I_3(R_3+r_3, =-\mathcal{E}_1+\mathcal{E}_2+\mathcal{E}_3$, სადაც r_1, r_2, r_3 დენის წყაროების შიგა წინაღობებია).

კირჯალი, ქალაქი სამხრ. ბულგარეთში, კირჯალის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 54 ათ. მცხ. (1975). ქვეყნის მეთამბაქოეობის დიდი რ-ნის ცენტრი. თამბაქოს მრეწველობა, ფერადი მეტალურგია (ტყვია-თუთიის კომბინატი, მუშაობს როდოპის მთების მადნის ბაზაზე).

კირჯალის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული სამხრ. ბულგარეთში, თურქეთის საზღვართან. ფართ. 4 ათ. *კმ*². მოსახლ. 288 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. კირჯალი. ქ. ო. მდებარეობს აღმ. როდოპის ფარგლებში, მდ. არდის აუზში. საერთო ეროვნ. მნიშვნელობისაა სამთამადნო მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, ჰიდროენერგეტიკა. მთლიანი ეროვნ. პროდუქტის დაახლ. 80%-ს იძლევა მძიმე მრეწველობა. ადგილ. მადნის ბაზაზე მუშაობს გამამდიდრებელი ფ-კები და ტყვია-თუთიის კომბინატი (კირჯალი). სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მეთამბაქოეობა (ქვეყნის თამბაქოს ნათესების 1/5). აშენებენ თამბაქოს უმაღლეს „აღმოსავლურ" ჯიშებს, რ-ის პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოა.

კისანგანი (Kisangani) (1966-მდე სტენლივილი, ჰ. *სტენლის* სახელის მიხედვით), ქალაქი ზაირის რესპუბლიკაში. ზემო ზაირის ოლქის ადმ. ცენტრი. 311 ათ. მცხ. (1974). ნავსადგური მდ. კონგოზე (ზაირი), სტენლის ჩანჩქე-



კისერაქლემები. კისერაქლემა (Rhaphidia) და მისი მატლი.

ტ. კისელიოვი.

კისისხევი. ღვთისმშობლის (ყველაწმინდის) ეკლესია. VI—VII სს.

რების ქვემოთ. რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურ უბუნდუს (მდ. ლუალაბა). საავტ. გზების კვანძი. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. მნიშვნელოვანი სავაჭრო-განმანაწილებელი და სამრეწვ. ცენტრი. სას.-სამ. ნედლეულის პირველადი გადამუშავება, კვების, ქიმ., ხის დასამუშ. მრეწველობა. დაარსდა 1883.

კისელიოვი ტიხონ იაკობის ძე [დ. 30. VII (12. VIII). 1917, სოფ. ოგოროდნია, ახლანდ. დობრუშის რ-ნი, გომელის ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1940-იდან. ლამთავრა გომელის პედ. ინ-ტი (1941). მუშაობდა მასწავლებლად, სკოლის დირექტორად. 1944-იდან ბელორ. კპ (ბ) გომელის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი იყო, 1946 დაამთავრა საკ. კპ (ბ) ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტ. სკოლა, რის შემდეგაც მუშაობდა პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგედ. 1948-52 ბელორ. კპ (ბ) ცკ-ის სასკოლო განყ-ბის გამგე, პროპაგანდისა და აგიტაციის განყ-ბის გამგის მოადგილე. 1952-55 პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1955-56 ბელორ. კპ ცკ-ის მდივანი, 1956-59 მეორე მდივანი. 1958-62 სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1959-იდან ბელორ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავ-რეა. 1978-იდან სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1980-იდან ბელორუსიის კპ ცკ-ის პირველი მდივანი, 1980 წ. ოქტ. სკკპ ცკ-ის პოლიტ. ბიუროს წევრობის კანდიდატი. სკკპ XXII—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. სსრკ IV-IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

კისელიოვსკი, ქალაქი (1936-იდან) რსფსრ კემეროვოს ოლქში, სალაირის ჭიუხის მთისწინეთში, მდ. აბის ზემოთში. რკინიგზის სადგური. 122 ათ. მცხ. (1979). ქვანახშირის მოპოვების მნიშვნელოვანი ცენტრი კუზნეცკის ქვანახშირის აუზში. ქვანახშირის მანქანათსაშ. ქ-ნები, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფ-კები, ავტოის ქ-ნა, ფეხსაცმლის, ავეჯის და საკონდიტრო ფ-კები, ლუდის ქ-ნა. სამთო ტექნიკუმი, პედსასწავლებელი.

კისერაქლემები (Raphidioptera), ბადეფრთიანი მწერების რიგი. მათი სხეულის სიგრძე 15—20 *მმ* აღწევს. წინა მკერდი აქლემის კისრის მსგავსად აქვთ წაგრძელებული და ზემოთ აღუნული. რიგში 100-მდე სახეობაა. გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში. მტაცებლებია. ბინადრობენ ხის ქერქის ნაპრალებში და ქერქქვეშ. იკვებებიან მცენარეჭამია მწერებით, უმთავრესად ქერქიჭამიების მატლებით. სსრკ-ში გვხვდება Raphidia flavipes, R. ophiopsis და Agulla xanthostigma.

კისერმრუდობა, კისრის დეფორმაცია, რ-იც განპირობებულია კისრის კუნთებისა და რბილი ქსოვილების დაჭიმვით ან ხერხემლის კისრის ნაწილის გამრუდებით. კ. შეიძლება იყოს თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ი, რასაც სამშობიარო ტრავმა ან მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფის არასწორი განვითარება იწვევს, და შ ე ძ ე ნ ი ლ ი, რ-იც ვითარდება ჭრილობის, დამწვრობის, კისრის კუნთების ან ლიმფური კვანძების ანთების და სხვ. შედეგად. კ-ის დროს თავი დახრილია დაზიანებული კუნთების მხარეზე და კეფაც აქეთა მხართანაა მიახლოებული, ნიკაპი აწეულია და საპირისპირო მხარესაა მიქცეული; თავის მოძრაობა შეზღუდულია. თუ მკურნალობა დროულად არ ჩატარდა, ძირითად დეფორმაციას დაემატება სახისა და ქალას ასიმეტრია, ხერხემლის დეფორმაცია და სხვ.

კისივადა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, ოსაკის პრეფექტურაში. 173 ათ. მცხ. (1973). ნავსადგური (გააქვთ ხე-ტყე) იაპონიის შიგა ზღვის ნაპირზე. სოფ. მეურნ. და ზღვის პროდუქტების გადამუშავება. საფეიქრო (ბამბეულის), ქიმ. და ლითონდასამუშ. მრეწვ. საწარმოები.

კისიმაიო, კ ი ს მ ა ი უ (Chisimaio, Kismayu), ქალაქი და ნავსადგური სომალის სამხრ. ნაწილში, ინდ. ოკ. ნაპირზე. ქვემო ჯუბის ოლქის ადმ. ცენტრი. 30 ათ. მცხ. (1970). საავტ. გზით უკავშირდება ქ. მოგადიშოს. გააქვთ ბანანი, ტყავი, საქონელი, თევზი. სსრკ-ის დახმარებით აშენდა ხორცკომბინატი.

კისინჯერი (Kissinger) ჰენრი ალფრედ (დ. 1923, ქ. ფიურთი, გერმანია), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე, ყოფილი სახელმწ. მდივანი (1973—75). ებრაელი. 1938 მშობლებთან ერთად ნაცისტური გერმანიიდან აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. 1943 მიიღო აშშ-ის მოქალაქეობა. ომის დროს მსახურობდა აშშ-ის ჯარის კონტრდაზვერვაში. ომის შემდეგ დაამთავრა ჰარვარდის უნ-ტი. ფილოს. დოქტორი (1954), პროფესორი (1962). ხელმძღვანელობდა კვლევით ჯგუფს — „ბირთვული იარაღი და საგარეო პოლიტიკა" (1956—60). 1961—63, პრეზიდენტ ჯ. კენედის დროს, ეროვნ. უშიშროების საბჭოს კონსულტანტი. 1961—68 განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სამმართველოს კონსულტანტი. 1966-იდან აშშ-ის სახელმწ. დეპარტამენტის ევრ. საქმეების ბიუროს მრჩეველი. 1969—75 აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნ. უშიშროების საკითხებზე. ავტორია მთელი რიგი შრომებისა საგარეო პოლიტიკის შესახებ. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი (1973).

კისისხევი, მდინარე თელავის რ-ნში. სიგრძე 37 *კმ*, აუზის ფართ. 142 *კმ*². სათავე აქვს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1755 *მ*. ერთვის მდ. ალაზანს მარჯვნიდან. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა — ზამთარში, ზაფხულ-შემოდგომაზე იცის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნა და ღვარცოფი. საშ. წლ. ხარჯი სოფ. კისისხევთან 1,45 *მ*³/*წმ*. *ი. აფხაზავა.*

კისისხევი, სოფელი თელავის რ-ნში, გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. კისისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ნასამხრალი). ზ. დ. 660*მ*, თელავიდან 5 *კმ*. მეეენახეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტსახლი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, მედპუნქტი, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელში არის VI — VII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი—ღვთისმშობლის (ყველაწმინდის) ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და კირის სქელი ხსნარით. დეკორ. თაღები და ლავგარდანი კვეთილი შირიმისაა. ეკლესია გეგმით ჯვრისებრია. აღმ. და დას. მკლავები აფსიდებით მთავრდება, სამხრ. და ჩრდ. კი — სწორკუთხედის ფორმისაა, მაგრამ ისინიც გადახურულია კონქებით. ცენტრ. კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპებით. ეკლესიას სამი შესასვლელი ჰქონდა, რ-თაგან ჩრდ. შესასვლელი ამოქოლილია, სამხრ-ისა კი — მოგვიანებით მიშენებულ მიქელ მთავარანგელოზის სამლოცველოს ეკლესიასთან აკავშირებს. ეკლესიას შესასვლელი ახლა მხოლოდ დასიდან აქვს. გარედან, აღმ., ჩრდ. და სამხრ. ფასადებზე, სარკმლები შემკული იყო დეკორ. სპირეებით. სოფელში არის აგრეთვე ნათლისმცემლის შობის ეკლესია და მრგვალი კოშკი (ორიგე 1767), XIX ს. „ღვთაების" ეკლესია. სოფლის გარეთ კიდევ ერთი, გეგმით ოთხკუთხა კოშკია (შუა საუკ.). *შ. საღარაძე.*

კისლოვოდსკი, ქალაქი რსფსრ სტავროპოლის მხარეში, სსრკ ერთ-ერთი უდიდესი ბალნეოლ.-კლიმ. კურორტი *კავკასიის მინერალური წყლების* ჯგუფისა. სარკინიგზო ტოტის (64 *კმ*) ბოლო სადგური. 101 ათ. მცხ. (1979). გაშენებულია კავკასიონის ჩრდ. მთისწინეთში, 720—1060 *მ* სიმაღლეზე, ოლხოვკისა და ბერიოზოვკის (მდ. პოდკუმოკის აუზი) ხეობებში; გარშემორტყმულია მთებით. იცის თბილი ზაფხული (ივლ. საშ. ტემპ-რა 19°C), ზომიერად რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა —3,9°C). ნალექები 600 *მმ* წელიწადში. სამკურნ. საშუალება: „ნარზანის" წყაროს ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-სულფატიანი. კალციუმ-ნატრიუმიანი წყალი. რ-საც იყენებენ აბაზანებისათვის და ჩამოსასმელად. სასმელად იხმარება „დოლომიტური ნარზანის" და „სულფატური ნარზანის" წყაროებისა და № 23 ჭაბურღილის წყალი. სამედ. ჩვენება: სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომნელებელ, სუნთქვის ორგანოთა (არატუბერკულოზური ხასიათის) და საშარდე გზების დაავადებანი, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ.

კ. ქალაქია 1830-იდან. ნაგებობათაგან აღსანიშნავია ხის საბანაოები (1812), რესტორანი (1823), სააბაზანოები (1827—32; 1901—04, არქიტ. ა. კლეპინინი) და სხვ. საბჭ. პერიოდში შედგა გენ. გეგმა (1934, არქიტ. ვ. სემიონოვი და სხვ.; ახ. გეგმა — 1968), ჩატარდა ქუჩების რეკონსტრუქცია, გაიზარდა და კიდევ უფრო გამწვანდა ქალაქი, აშენდა ბევრი სამკურნ. და დასასვენებელი დაწესებულება, მ. შ. გ. ორჯონიკიძის სახ. სანატორიუმი (1935—37, არქიტ. მ. გინზბურგი, ს. ვახტანგოვი და სხვ.), სანატორიუმი „გორნიე ვერშინი" (1951, არქიტ. ნ. პოლიუდოვი; 1963-იდან შედის ორჯონიკიძის სახ. სანატორიუმის შემადგენლობაში) და სხვ. დაიდგა ვ. ი. ლენინის ძეგლი (ბარელიეფი; ბრინჯაო, 1925, მოქანდაკე ვ. ანდრეევი) და სხვ. კ. დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

კ-ში არის სამედ. სასწავლებელი; ნ. იაროშენკოს სამხატვრო მუზეუმი; ტურბაზა, პანსიონატები და სანატორიუმები.

კისორეთი, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (გურნის სოფსაბჭო), რაჭის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 590 *მ*, ტყიბულიდან 45 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. გურნაში (7 *კმ*). კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი. კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

სოფლის განაპირას, აღმ-ით, აღმართულია განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ფასადები და ინტერიერის კედლები ნაგებია სუფთად ნათალი მოყვითალო ქვის კვადრებით. დარბაზი გადახურულია სამ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით. სატრიუმფო და დას. კედლის მიმდებარე საბჯენი თაღები პროფილირებულ იმპოსტებს ეყრდნობა. გრძივი კედლების კიდეებში ერთსაფეხურიანი პილასტრებია გამოყოფილი. კედლის მონაკვეთები პილასტრებს შორის გაფორმებულია დეკორ. თაღებით. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. შესასვლელი ორია — დასავლეთიდან და სამხრეთიდან. ორსაფეხურიან ცოკოლზე დადგმული ეკლესიის ფასადები შემკულია პროფილირებული კარნიზებით. სამხრ. შესასვლელი

რთულპროფილიანი პორტალით არის გაფორმებული. ნაგებობა შემკულია ჩუქურთმებით და ჯვრის რელიეფური გამოსახულებებით. *თ. ბერაძე. ვ. დოლიძე.*

კისტანი, სოფელი დუშეთის რ-ნში (შატილის სოფსაბჭო), მდ. არღუნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2080 *მ*, დუშეთიდან 100 *კმ*. მაღაროსკარის ეაჟა-ფშაველას სახ. კოლ-ბა (მესაქონლეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ბარისახოში (36 *კმ*). კ-ში არის ფეოდ. ხანის ციხეები.

კისტიაკოვსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [30. IX (12. X). 1865, კიევი, — 19. X. 1952, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი 1929; 1889 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. 1903—34 ლენინგრადის პოლიტექნ. ინ-ტის პროფესორი. 1934—39 სსრკ მეცნ. აკად. კოლოიდურ-ელექტროქიმ. ინ-ტის დირექტორი. შექმნა ორიგინ. მეთოდები და ხელსაწყოები ელექტროქიმ. პროცესების შესასწავლად. პირველმა შეადგინა თეორიულად დასაბუთებული ელექტროდული პოტენციალების ცხრილი, ჩაატარა მნიშვნელოვანი კვლევა მაგნუმის, ქრომის, რკინის, ალუმინის და სხვ. ლითონების ელექტროქიმ. დარგში (1910). მის შრომებს ფართოდ იყენებენ გალვანოსტეგიის ტექნიკაში და ლითონთა რაფინირებისათვის, აგრეთვე ლითონების კოროზიისაგან დაცვისათვის (1929 — 39). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.

ლიტ. Фигуровский Н. А., Романьков Ю. И., Владимир Александрович Кистяковский. 1865—1952, М., 1967.

კისტოფორი (cistophori), მსუბუქი მასის (წონის) ტეტრადრაქმა (საშუალო მასა დაახლ. 12,65 *გ*). იჭრებოდა მცირე აზიის ქ-ებში ძვ. წ. II ს. I ნახევრიდან. ტეტრადრაქმის გარდა იშვიათად იჭრებოდა დიდრაქმები და დრაქმები. მონეტის ტიპი ყველა ზარაფხანისათვის უნიფიცირებულია. კ-ის შუბლზე გამოსახულია სარიტუალო კალათი — კისტა (აქედან სახელწოდება კისტოფორი), საიდანაც გველი მოძვრება (დაკავშირებულია დიონისეს კულტთან); გარშემო — სუროს ფოთლების გვირგვინი, ზურგზე — ორ გველს შუა ისრებისაგან დაწნული საკრალური გამოსახულება, აგრეთვე სხვადასხვა სიმბოლო და მონოგრამა, რ-თა მიხედვით ადგენენ ზარაფხანას და მოჭრის დროს. კ. დიდი რაოდენობით იჭრებოდა და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მცირე აზიასა და რომის ეკონ. ცხოვრებაში. აღმოსაელეთის პროვინციები რომს კონტრიბუციას კ-ით უხდიდნენ. აღმოსაელეთის ზარაფხანებში მოჭრილ მონეტებზე იმპერატორების გამოსახულება და ლათ. ლეგენდა იყო, მასით იგი კ-ს უთანაბრდებოდა.

1966 საქართველოში (ვანი) აღმოჩნდა ძვ. წ. 50—49 პერგამონში მოჭრილი ერთი კ.

ლიტ.: დუნდუა გ., ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კისტოფორის შესახებ, კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971. *გ. დუნდუა.*

კისტრიკი, ნეოლითის ხანის (ძვ. წ. VII—VI ათასწლ.) ნამოსახლარი კისტრიკის ღელის მარჯვ. ნაპირზე (ბომბორის სასოფლო საბჭო, გუდაუთის რ-ნი, აფხ. ასსრ). გათხარეს 1941 (ლ. სოლოვიოვი) და 1958—60 (ნ. ბერძენიშვილი, ლ. ნებიერიძე). 6 *ha* ფართობის ღია ტიპის ნამოსახლარზე გაითხარა 30—60 *სმ* სისქის კულტ. ფენა. აღმოჩნდა შრომისა და ბრძოლის იარაღი (რიყის ქვის: გახეხილ-გაპრიალებული ცულები, ხელჩაქუჩები, ხელსაფქვავები, სატეხები, სათლელები, სახეხები, საწაფები, შურდულის ქვები, წერაქვისებრი და თოხისებრი იარაღი, კაჟისა და ობსიდიანის ტრაპეციის, სეგმენტისა და ოთხკუთხა ფორმის ჩასართები, საფხეკები, საჭრისები, სახვრეტები, ლამელები, ისრისპირი, ძვლის სადგისი და სხვ.) და მათი დამზადების დროს წარმოქმნილი ნარჩენები. აგრეთვე ხელით ნაძერწი, სუსტად და არათანაბრად გამომწვარი ბრტყელძირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

მსგავსი მასალა აღმოჩენილია საქართვ. სხვა ადგილებშიც (ოდიში, ანასეული II, ჩხორთოლი და სხვ.).

ლიტ.: ნებიერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; Лукия А. Л., Неолитическое селище Кистряк близ Гудаут, «Советская археология», 1950, № 12. *კ. კალანდაძე.*

კისუმუ (Kisumu), ქალაქი კენიის დას. ნაწილში, ნიანზის პროვ. ადმ. ცენტრი. 30,7 ათ. მცხ. (1969). ნავსადგური ვიქტორიას ტბის ნაპირზე. რკინიგზით უკავშირდება ნავსადგურ მომბასას (ინდ. ოკ.). სას.-სამ. რ-ნის სავაჭრო ცენტრი. ბამბის ქსოვილების წარმოება. გემების რემონტი. თევზჭერა. კ-ს მახლობლად არის დიდი შაქრის ქ-ნა.

კიტაი-გოროდი, მოსკოვის ძველი რაიონი, რ-შიც შედიოდა წითელი მოედანი. ეწოდა XVI ს. (რუს. სიტყვიდან „кита" — სარების შეკვრა, რ-იც იხმარებოდა ხის სიმაგრეების კონსტრუქციებში). XIV ს. აქ იყო სავაჭრო და სახელოსნო დასახლება და ეჭირა ტერიტორია მდ. მოსკოვსა და მდ. ნეგლინაიას შორის. 1534 აიგო ხის სიმაგრე თხრილითურთ, ხოლო 1535—38 — დაახლ. 6 *მ* სისქისა და 6,3 *მ* სიმაღლის ქვის კედელი (არქიტ. პეტროკ უმცროსი) 13 კოშკით, XV ს. დასასრულს აქ გაჩნდა ბოიართა და სამღვდელოების სახლები. 1610—12 ჯ.-ბ. დაწვეს პოლონელებმა. XVII ს. II მეოთხედში აგებულ შენობათა შორის იყო სამების (ქართვ. ღვთისმშობლის) ეკლესია ნიკიტნიკში (1628—53, მოხატულობა 1652—53). XVII ს. 50—60-იან წლებში აქ ცხოვრობდა ქართვ. უფლისწული ერეკლე და დედამისი ელენე. 1790—1805 ძვ. ქარვასლის ადგილზე ააშენეს ახალი (ჯ. კვარენგის პროექტი, არქიტ. ს. კარინი, ი. სელეხოვი). 1812 ჯ.-ბ. დაიწვა. აღდგენის დროს განაშენიანდა ძირითადად ქვის შენობებით. საბჭ. ხელისუფლების ოროს ჩატარდა კ.-ბ-ის ყოფილი ტერიტორიის რეკონსტრუქცია, დაინგრა ძველი შენობები და კედლის დიდი ნაწილი, გაფართოვდა ქუჩები, აიგო მეტროს სადგურები და სხვ.

ლიტ.: Сытин П. В., Из истории московских улиц (Очерки), 3 изд., М., 1958.

კიტაკაბი, მთები იაპონიაში, კ. ჰონსიუს ჩრდ.-აღმ. ნაწილში. სიგრძე დაახლ. 200 *კმ*, სიგანე 60 *კმ*-მდე, სიმაღლე 1914 *მ*-მდე (მთა ჰაიატინე). დას-ით შემოსაზღვრულია კიტაკამისა და მაბეტის ხეობებით. აღმ-ით ციცაბოდ ეშვება წყნარი ოკეანისაკენ. უმთავრესად აგებულია პალეოზოური მეტამორფული ქანებით. კ-ში არის რკინის მადნის საბადო. ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეები. სატყეო მეურნეობა. მიწათმოქმედება, მეცხოველეობა.

კიტაკიუსიუ, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. კიუსიუს უკიდურეს ჩრდილოეთში, სიმონოსეკის სრუტესთან, ფუკუოკის პრეფექტურაში. შეიქმნა 1963 ქ-ების იავატის, ტობატის, კოკურისა და საგარეო-სავაჭრო ნავსადგურების ეკატერინეს და მოძის შეერთებით. 1068 ათ. მცხ. (1977). კ. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი და იაპ. ერთ-ერთი უდიდესი სამრეწვ. ცენტრია, სადაც თავმოყრილია მძიმე და მსუბუქი მრეწვ. ბევრი საწარმო. განვითარებულია შავი მეტალურგია და კოქსქიმია, ქიმ., მანქანათაშ., სამხ. მრეწველობა. კოკურაში არის ქვანახშირ-ენერგეტ. კომბინატი, იავატის მეტალ. კომბინატი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. არის კვებისა და საფეიქრო მრეწვ. საწარმოები. კ. უკავშირდება კ. ჰონსიუს სიმონოსეკი—მოძის მრავალიარუსიანი წყალქვეშა გვირაბით.

კიტაპეურა ტოკოკუ (29. XII. 1868, ოდავარა, კანაგავის პრეფექტურა, — 16. V. 1894), იაპონელი პოეტი და პუბლიცისტი, მგზნებარე ტრიბუნი. ურნ. „ბუნგაკუკაის" („ლიტერატურის სამყარო", 1893—98) ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა პოეტები. კ-ს შემოქმედება გამსჭვალულია აბსოლ. მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით. „მსოფლიო სევდის" ბაირონისებური მოტივები ჟღერს მის პოემაში „ზღაპრული ქვეყნის სიმღერები" (1891). აქვს პეიზაჟური ლექსებიც („თოვა", 1892; „ციცინათელა", 1893; „მძინარე პეპელა", 1893). წერდა პუბლიც. სტატიებს.

კიტვე-ნკანა (Kitwe-Nkana). ქალაქი ზამბიაში. შეიქმნა ქ-ების კიტვესა და ნკანის შეერთებით. 292 ათ. მცხ. (1974). მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი. რკინიგზის ტოტით უკავშირდება დამუშავებითი მრეწვ. ცენტრ ნდოლას. ნკანაში არის სპილენძის დიდი მაღარო.

კიტო (Quito), ეკვადორის დედაქალაქი, ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. ცენტრი. გაშენებულია ვულკან პიჩინჩის სამხრ. კალთაზე, 2818 *მ* სიმაღლეზე, ეკვატორის სამხრეთ 24 *კმ*. ჰავა ეკვატორული, მაღალი მთისა. საშ. თვიური ტემპ-რები 12,5—12,7°C. ნალექები 1100—1200 *მმ* წელიწადში. 530 ათ. მცხ. (1975). ქალაქს მართავს არჩევითი მუნიციპალური საბჭო, რ-ის სათავეში დგას მერი.

კ. დააარსა კონკისტადორმა ს. ბელალკასარმა 1534 წ. 6 დეკ. ინდიელთა ძვ. ქალაქის ადგილას. ესპანელთა ბატონობის პერიოდში იყო კოლონიის ე. წ. კიტოს ოლქის ცენტრი, სადაც არაერთხელ იფეთქა აჯანყებამ (1592, 1765, 1809) ესპ. ბატონობის წინააღმდეგ. 1822 წ. 24 მაისს კ-ს მახლობლად, პიჩინჩასთან, ესპ. ჯარეპის სრული განადგურების შემდეგ კიტოს ოლქი დიდი კოლუმბიის რესპუბლიკაში შევიდა. კიტოს ოლქის დიდი კოლუმბიიდან გამოსვლის შემდეგ კ. ეკვადორის რესპ. დედაქალაქი გახდა (1830).

კ. რკინიგზითა და საავტ. გზით უკავშირდება ანდების ველისა და წყნარი ოკ. სანაპიროს დიდ ქალაქებს, პანამერ. გზატკეცილით — ბოგოტასა (კოლუმბია) და ლიმას (პერუ). აეროპორტი. ქალაქში არის საფეიქრო, კვების, ტყავ-ფეხსაცმლის, ავეჯის, ქიმ.-ფარმაცევტული საწარმოები. შინასარეწები.

ქალაქი დაგეგმარებულია სწორი ქუჩებით. ცენტრშია მოედნები: პლასა ინდეპენდენსია (დამოუკიდებლობისა; მთავრობის სასახლით, 1747), პლასა ბოლივარი და პლასა სუკრე. შემონახულია 1—2-სართულიანი სახლები, პლატერესკოსა და ბაროკოს სტილის ეკლესიები (სან-ფრანსისკო, 1534—1650, არქიტ. ხ. რიკე, ა. როდრიგესი; ტაძარი, 1557 — XVII ს.), მონასტრები (დიდი კლუატრებით; ადგილ. ოსტატების მხატვრობითა და ხის პოლიქრომული ქანდაკებებით, უხვი ჩუქურთმებით) და სხვ. XX ს. ახ. შენობათაგან აღსანიშნავია: პარლამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სასტუმრო „კიტო" და სხვ.

კ-ში არის ეკვადორის ცენტრ. უნ-ტი, ეკვადორის კათოლ. უნ-ტი, ეროვნ. პოლიტექ. სკოლა, ქალთა პედ. ინ-ტი, ურნალისტთა მოსამზადებელი ლათ.-ამერ.

ვ. კისტიაკოვსკი.

კისტოფორი. პერგამონი. ძვ. წ. 50—49 წწ. ზემოთ— შუბლი; ქვემოთ—ზურგი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.



კიტაი-გოროდის ნიკოლას ჭიშკარი. 1535—38.



კიტრი. მუხრანული ჯიში: 1 — მწვანე ნაყოფი; 2— განივი ჭრილი; 3—ნასკვი.

ჯ. კიტსი.



ს. კიტჩლუ.

ცენტრი, სამუსიკო, ნატიფი ხელოვნ. და ქორეოგრ. ეროვნ. აკად., ეკვადორის მეცნ. აკად., სამედ. აკად. და სხვა სამეცნ. დაწესებულებები და საზ-ბები, ობსერვატორია, ბოტან. ბაღი; ეროვნ., მუნიციპალიტეტის, ცენტრ. უნ-ტის ბ-კები; კოლონ. ხელოვნ. ეროვნ. მუზეუმი, მუს. საკრავთა მუზეუმი, არქეოლ. და ეთნოგრ. მუზეუმი და სხვ.; დიდი სათეატრო შენობებია სუკრეს ეროვნ. თეატრი და „ბოლივარი".

კიტოი, მდინარე რსფსრ ბურ. ასსრ-სა და ირკუტსკის ოლქში, მდ. ანგარის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 316 *კმ*, აუზის ფართ. 9190 *კმ*². სათავე აქვს კიტოის გოლცებზე (აღმ. საიანი). ქვემოთში ხეობა განიერია და დაჭაობებული. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან დაახლ. 115 *მ*³/*წმ*, მაქს. — 2340 *მ*³/*წმ*. იყინება ოქტ. II ნახევარში, ყინულძვრა აპრილ-მაისშია. ხე-ტყის დაცურება. კ-ის ნაპირზეა ქ. ანგარსკი.

კიტონი (Keaton) ბესტერ (ნამდვ. სახელი — ჯოზეფ ფრენსის) (4. X. 1896, პიკუეი, — 1. II. 1966, ჰოლივუდი), ამერიკელი კინოს კომიკოსი მსახიობი და რეჟისორი. მისი დებიუტი შედგა 1917. თავდაპირველად მონაწილეობდა ცნობილი ამერ. კომიკოსის რ. არბეკლის (ფატის) ფილმებში. შემდეგ დამოუკიდებლად ქმნიდა შედევრებს, რ-ებშიც მთავარ როლებს თვითონ ასრულებდა („სამი ეპოქა", „ჩვენი სტუმართმოყვარეობა" — ორივე 1923; „შერლოკ-უმცროსი", „ნავიგატორი" — ორივე 1924; „გენერალი", 1926). კ-ის განუმეორებელი კომიზმის საფუძველია მისი გმირის უსიცოცხლო, თითქმის გაყინული სახის გამომეტყველების შეუსაბამობა ირგვლივ დატრიალებულ კომედიურსა და დრამ. სიტუაციებთან. კინოს გახმოვანების შემდეგ კ-მა მნიშვნელოვანი ეელარაფერი შექმნა.

ლიტ.: Комики мирового экрана, М., 1966. *გ. დოლიძე.*

კიტოხი, სოფელი დუშეთის რ-ნში, გუდამაყრის ხეობაში. გუდამაყრის სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ათნოხი, ბაკურხევი, ბახანი, ბოსელი, ბურსაჭილი, გამსი, დიდებაანი, დიხჩო, დუმაცხო, ზანდუკი, თოთიაურნი, თორელაანი, ლუთხუბი, მაქართა, საკერპე, საჩალისჭალა, სიჯანაანი, ფახვიჯი, ჩობალაურნი, ჩოხი, წინამხარი). ზ. დ. 1600 *მ*, დუშეთიდან 63 *კმ*. გუდამაყრის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კიტ-პიკის ასტრონომიული ობსერვატორია, აშშ-ის ეროვნული ობსერვატორია ტუსონის ახლოს, არიზონაში, კიტ-პიკის მთაზე (2095 *მ*). ეკუთვნის უნ-ტების ასტრონ. გამოკვლევათა გაერთ. ასოციაციას. დაარსდა 1959. მთავარი იარაღებია რიჩი-კრეტიენის სისტემის, კუდეს ფოკუსიანი, 213 *სმ* რეფლექტორი; 160 *სმ* დახრილი სამზეო ტელესკოპი, რ-საც ახლავს 208 *სმ* ჰელიოსტატი; 91 *სმ* რეფლექტორი. იკვლევს მზეს, პლანეტებს, ვარსკვლავებს, გალაქტიკას. გამოსცემს ჟურნალს „Contributions" (1959-იდან).

კიტრი (Cucumis sativus), ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა. ფესვთა სისტემა შედგება მთავარი ღერძისა (1 *მ*-მდე სიგრძის) და გვერდითი ფესვებისაგან, ესენი ძირითადად ნიადაგის სახნავ (10—30 *სმ*) ფენაში ვრცელდება. ღერო მბოხავი ან ხვიარაა. სიგრძე 1,5—2 *მ* აღწევს. გვხვდება ნახევარბუჩქისებრი ფორმებიც. ფოთოლი დიდყუნწიანია, ოდნავ ფრთისებრი, ხუთკუთხიანი. ცალსქესიანი, ერთსახლიანი მცენარეა. გვხვდება ორსახლიანიც. ნაყოფი 5—100 *სმ*-მდე სიდიდისაა. ცილინდრული ფორმა აქვს. კ. სითბოს, სინათლისა და ტენის მოყვარული მცენარეა. მისი სამშობლოა ინდოეთი.

კ. მოჰყავთ ღია და დახურულ გრუნტში. იყენებენ როგორც ნედლად, ისე მწნილის სახით. ქორფა, 3—4-დღიანი ნაყოფისაგან პიკულსა და კორნიშონს ამზადებენ. ნაყოფის ქიმ. შედგენილობა ასეთია (%-ობით): წყალი 95—96; მშრალი ნივთიერება 4—5, მ. შ. შაქრები 2—2,5, ცილოვანი ნივთიერება 1,0, ცხიმი 0,1, უჯრედისი 0,7, ნაცარი 0,4. შეიცავს C, B_1, B_2 ვიტამინს, A პროვიტამინს, ორგ. მჟავებს.

1973-იდან საქართველოში ღია გრუნტისათვის დარაიონებულია მუხრანული ადგილ., ნეჟინური 12, ნოვოჩერკასკის 365, რუსტემი 96-1, ნეროსიმი 40; დახურული გრუნტისათვის: „მნოგოპლოდნი 3263", ჰიბრიდი „ტეპლიჩნი 40". კ-თვის საუკეთესოა ნოყიერი, მსუბუქი მექან. შედგენილობის, ქარისაგან დაცული ნიადაგი. თესლი ითესება მწკრივად და ბუდობრივად. გრძელბარდიანი ჯიშები (მუხრანული) ითესება კვადრ.-ბუდობრივად 100×100 *სმ*, ხოლო მოკლებარდიანი —70×70 *სმ*-ზე. ბუდნაში ტოვებენ 3—4 მცენარეს. კ-ის უმთავრესი მავნებლებია აბლაბუდიანი ტკიპა, ბუგრი; დაავადებანი — ნაცარი, ბაქტერიოზი, თეთრი სიდამპლე, ანთრაკნოზი. *თ. რობაქიძე.*

კიტრიული, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში (წინაგარის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკის ჩრდ.-აღმ-ით, მთისწინეთში. ზ. დ. 1000 *მ*, ლენინგორიდან 95 *კმ*. ზაზორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. წინაგარში (7 *კმ*). ბ-კა, კულტსახლი.

კიტსი ელმარ [14 (27). IV. 1913, ტ-რტუ, — 24. III. 1972, იქვე], საბჭ. ფერმწერი. სსრკ სახ. მხატვარი (1971). სწავლობდა ტარტუს უმაღლეს სამხატვრო სკოლა „პალასში" (1935—39). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ტარტუს სამხატვრო ინ-ტში (1944—49). ჰ. თავისუფალი ფერწერული მანერით და დახვეწილი კოლორიტით შესრულებული თემატური სურათების, პეიზაჟების, ნატურმორტებისა და პორტრეტების ავტორია: „წყალდიდობა ვალგამეტსში", 1960; „ვ. ი. ლენინი", „მშენებლები" (ორივე 1969 ესტ. სსრ სახელმწ. პრემია, 1970). მუშაობდა აგრეთვე მონუმ.-დეკორ. ფერწერის ჟანრში. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

კიტსი (Keats) ჯონ (31. X. 1795, ლონდონი, — 23. II. 1821, რომი), ინგლისელი პოეტი. განათლებით ექიმი იყო. მის შემოქმედებაში თავისებურად აირეკლა საერთოდ ინგლ. რომანტ. ლიტ-რისა და, კერძოდ, ლონდონელ რომანტიკოსთა შემოქმედების წინააღმდეგობრივი ტენდენციები. კ-ის ადრინდ. პოეზიაში მკვეთრად ისმოდა რენესანსული მოტივები. პოემა „ენდიმიონის" (1818) შემდეგ დაიხვეწა და გამოიკვეთა პოეტის საკუთარი ხმა და დამოუკიდებელი მსოფლაღქმა. ის წერდა ლირ. სიმღერებს, ბალადებს, მიძღვნებს, შექსპირისეულ კლასიკურ სონეტსაც და ფოლკლორულ ტრად. ბალადასაც („რობინ ჰუდი"), რ-ებშიც თვალსაჩინოა აზრისა და გრძნობის სიღრმე, ტრაგიკული მსოფლშეგრძნების გვერდით სიცოცხლით ტკბობისა და სიხარულის მოტივები (პოემა „იზაბელა...", 1818, ბოკაჩოს ნოველის მიხედვით). კ-ის შემოქმედებას ახასიათებს პოეტური განცდის უშუალობა, თუმცა იგი შთაგონებას ანტ. ხელოვნ. ნაწარმოებებში ეძებდა. ანტიკურობას ჰ. დაუკავშირდა ინგლ. აღორძინების ხანის პოეტების — შექსპირის, მარლოს, სპენსერის, ლილის, ბ. ჯონსონის და სხვ. გავლენით, რ-ებმაც დიდი ზემოქმედება მოახდინეს მისი ესთეტ. პრინციპების ევოლუციაზე. კ-ის სხვა თხზულებებიდან აღსანიშნავია პოემები „ჰიპერიონი" (1818—19), „ლამია" (1819), „წმინდა აგნესის წინა ღამე" (1820), ოდები „ოდა ბულბულს", „ოდა შემოდგომას" (ორივე 1820) და სხვ. კ-ის მხატვრულმა ძიებებმა დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო თაობათა ბევრი პოეტის შემოქმედებაზე. შელიმ კ-ის ხსოვნას მიუძღვნა ელეგია „ადონაისი" (1821).

თხზ.: The poetical works, 2 ed., Oxf., 1958; [წიგნში] Марпак С., Соч., т. 3, М., 1959.

ლიტ.: Елистратова А., Наследие английского романтизма и современность, М., 1960; Ивашева В. В., История зарубежных литератур. XIX век, т. 1, М., 1955.

კიტჩლუ საიფუდინ (1885 აგვ. — 9. X. 1963, დელი), ინდოეთის საზოგადო მოღვაწე. ადვოკატი, იურიდ. მეცნ. დოქტორი. დაამთავრა ალაჰაბადისა და კემბრიჯის უნ-ტები. ინდ. ეროვნ. კონგრესის პარტიის წევრი. 1919 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩრდ.-დას. ინდოეთში. ინდ. მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1947) მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაში. 1951 აირჩიეს სრულიად ინდ. მშვიდობის საბჭოს თავ-რედ და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს (მმს) წევრად; 1955—59 მმს-ს ვიცეთავ-რე, 1959-იდან მმს-ს პრეზიდიუმის წევრი. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1952).

კიუვეტი (ფრანგ. cuvette, სიტყვასიტყვით—როფი, ტაშტი), 1. ტრაპეციის ფორმის ნათხარი საავტომობილო გზის ან რკინიგზის გვერდულის გასწვრივ წყლის მოსაგროვებლად და დაბალ ადგილებში ასარინებლად. 2. აბაზანა, ფოტოქაღალდის, ფოტოფირის, ფოტოფირფიტის დასამუშავებელი და კლიშეს ამოსაჭმელი ბრტყელი ჭურჭელი. აქვს წიბოვანი ან პროფილირებული ძრო და ერთ-ერთ კუთხეში ხსნარის გადმოსასხმელი ცხვირი. კ. შეიძლება იყოს მინის, პლასტმასის, მომინანქრებული რკინის, ქაშანურის ან უჟანგავი ფოლადისა.

კიუვიე (Cuvier) ჟორჟ (23. VIII. 1769, მონბელიარი, ელზასი, — 13. V. 1832, პარიზი), ფრანგი ბუნებისმეტყველი, ზოოლოგი, ცხოველთა შედარებითი ანატ. და პალეონტოლ. ერთ-ერთი ფუძემდებელი. სახელმწ. მოღვაწე. დაამთავრა კარლის აკადემია შტუტგარტში (1788); პარიზის (1895) და საფრ. (1818) აკად. წევრი.

კ-ს გამოკვლევები ეხება უმთავრესად ხერხემლიანი ცხოველების შედარებითი ანატ., პალეონტოლ. და აგრეთვე ბუნებისმეტყველების ზოგად საკითხებს. ცხოველთა აგებულების შესწავლის საფუძველზე მან შექმნა ორიგინ. ზოოლ. სისტემა. კ-მ შეისწავლა უაღრესად მდიდარი პალეონტოლ. მასალა და გამოავლინა ნამარხ ცხოველთა სტრატიგრაფიული მნიშვნელობა. დღევანდელი და ამომწყდარი ცხოველების აღნაგობის დეტალურად შესწავლისას მან დაადგინა ნაწილთა შორის კანონზომიერ თანამიმართებათა (კორელაციების) არსებობა და დიდი წარმატებით გამოიყენა ისინი უმნიშვნელო ფრაგმენტების მიხედვით მთელი ჩონჩხის რეკონსტრუქციისათვის.

კ. არ ცნობდა ორგ. ბუნების ევოლუციას და *კრეაციონიზმის* მტკიცე მიმდევარი იყო (განსაკუთრებით ცნობილია მისი დისკუსია ე. *ჟოფრუა სენტ-ილერთან* პარიზის აკადემიაში 1830). იგი უარყოფდა გენეზისურ კავშირს ორგანიზმების ჯგუფებს შორის; კორელაციები მას ორგანოთა შორის სტატიკურ თანამიმართებებად მიაჩნდა; სხვადასხვა გეოლ. შრეში განსხვავებული ორგანიზმების არსებობის ასახსნელად კ-მ შექმნა ე. წ. *კატასტროფების თეორია*, რ-ის თანახმად, სხვადასხვა ეპოქაში სტიქიური კატასტროფები (კატაკლიზმები) სპობდა მთელ ფლორასა და ფაუნას დიდ ტერიტორიებზე, სადაც შემდეგ სხვა ადგილებიდან მოსული ახ. ორგანიზმები სახლდებოდნენ.

კ-ს მეცნ. კონცეფციის უმართებულობის მიუხედავად, მან ბუნებისმეტყველების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: მის მიერ შესწავლილმა უმდიდრესმა მასალამ, მისმა მეთოდებმა და განზოგადებებმა კი დიდად შეუწყო ხელი ევოლუციონიზმის განვითარებას.

თხზ.: Leçons d'anatomie comparée, 2 ed., t. 1—8, P., 1835—46; Рассуждение о

переворотах на поверхности земного шара, М.—Л., 1937.

ლიტ: Гремяцкий М., Кювье Ж. (1769—1832). Очерк о жизни и научной деятельности, М., 1933. *ლ. ნათაძე.*

კიუზეკი (Cusack) ელენ დიმფნა (დ. 22. IX. 1902, უალონგი, ახლანდ. სამხრ. უელსის შტატი), ავსტრალიელი მწერალი ქალი. დაამთავრა სიდნეის უნ-ტი (1924). კ-ის რომანები „სიკვდილს უთხარი —არა" (1951), „გადასახლებული მზე" (1955) და სხვ. ეხება ავსტრალ. სოც. ცხოვრების საკითხებს; „გვალვა ბერლინში" (1961) პოლიტ. რომანია. პროზაულ ნაწარმოებებში კ. კრიტ. რეალიზმის ტრადიციებს ავითარებს, მაგრამ მისი პიესები „მზე დიოლით ალისფერია" (1935), „როცა კომეტები მიქრიან" (1943) და სხვ. რომანტ.-ფსიქოლ. ხასიათისაა; მათში გამოყენებულია ბუფონადური ელემენტები.

კიულპე (Külpe) ოსვალდ (3. VIII. 1862, კანდავა, ახლანდ. ლატვ. სსრ, — 30. XII. 1915, მიუნხენი), გერმანელი იდეალისტი — ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. პროფესორი ვიურცბურგში (1894—1909), ბონში (1909—13), მიუნხენში (1913-იდან). ვ. *ვუნდტის* მოწაფე, ვიურცბურგის სკოლის დამაარსებელი. მისი კვლევის ძირითადი თემაა შემეცნების თეორიის ფსიქ. დასაბუთება. ფსიქოლოგიაში აღიარება მოიპოვა მაღალი ფსიქიკური პროცესების— აზროვნების და ნებელობის — შესწავლით. კ-ს მიხედვით, აზროვნება არ არის დაკავშირებული გრძნობად წარმოდგენებთან და ხასიათდება შინაგანი დეტერმინაციული ტენდენციებით. ექსპერ. ფსიქოლ. კვლევის ადეკვატურ მეთოდად მიაჩნდა თვითდაკვირვება.

თხზ.: Die Realisierung, Bd. 1—3, Lpz., 1912—23; Vorlesungen uber Psychologie, 2. Aufl., Lpz., 1922; Современная психология мышления, «Новые идеи в философии», 1914, сб. 16.

კიუმიიოკი (Kymijoki), კიუმენე, მდინარე ფინეთის სამხრ. ნაწილში. სიგრძე 204 *კმ*, აუზის ფართ. 37,2 ათ. *კმ*². სათავე აქვს პიაიანეს ტბის აუზში, გადის ტბებში, კვეთს სალპაუსელკიის მაღლობს, აჩენს ჭორომებს, ჩანჩქერებს და უერთდება ფინ. ყურეს. წყლის საშ. წლ. ხარჯი 295 *მ*³/*წმ*, მაქს. — დაახლ. 700 *მ*³/*წმ*. წყალდიდობა გაზაფხულ-ზაფხულში იცის. იყენება დეკ-ში, ყინულძვრა აპრილ-მაისშია. კ-ზეა ჰესი. ხე-ტყის დაცურება. შესართავთანაა საზღვ. ნავსადგური კოტკა.

კიუნიო (Cugnot) ნიკოლა ჟოზეფ (25. II. 1725, ვუა, მეზის დეპარტამენტი.— 2. X. 1804, პარიზი), ფრანგი გამომგონებელი. ერთ-ერთი პირველთაგანი ცდილობდა ორთქლის მანქანა ტრანსპორტში გამოეყენებინა. 1769—70 ააგო ორთქლის ოთხთვალა, რ-იც გათვალისწინებული იყო იარაღის გადასაზიდად, მაგრამ არასრულყოფილი კონსტრუქციის გამო ვერ გამოიყენეს.

კიურასაო (Curaçao), კუნძული *ქარზურგა კუნძულთა* ჯგუფში (მცირე ანტილის კ-ების არქიპელაგი), სამხრ. ამერიკის ჩრდ. ნაპირთან. ეკუთვნის ნიდერლანდს. ფართ. 462 *კმ*². მთავარი ქ. — ვილემსტადი. ზედაპირი ბორცვიანი და დაბალმთიანია (სიმაღლე 372 *მ*-მდე). დას. და სამხრ. ნაპირები მარჯნის რიფებითაა შემოსაზღვრული. ჰავა სუბეკვატორული. ნალექები 500 *მმ* წელიწადში. ქსეროფილური ბუჩქოვანი მცენარეულობა. აღმოაჩინა ესპ. ზღვაოსანმა ა. ოხედამ 1499.

კიური (Curie) ირენ (1897—1956), ფრანგი ფიზიკოსი, იხ. *ჟოლიო-კიური* ი.

კიური (Curie) პიერ (15. V. 1859, პარიზი — 19. IV. 1906, იქვე), ფრანგი ფიზიკოსი, საფრ. მეცნ. აკად. წევრი (1905). პარიზის უნ-ტის დამთავრების (1877) შემდეგ იქვე მუშაობდა ასისტენტად. 1882—1904 ხელმძღვანელობდა პრაქტ. სამუშაოებს, ხოლო შემდეგ ასწავლიდა პარიზის ინდუსტრ. ფიზ. და ქიმ. სკოლაში. 1904-იდან იყო პარიზის უნ-ტის პროფესორი. ძირითადი შრომები აქვს კრისტალთა ფიზ., მაგნეტიზმის, რადიოაქტივობის საკითხებზე. თავის ძმასთან პოლ ჟან კიურისთან, ერთად აღმოაჩინა პიეზოელექტრობის მოვლენა (1880), დაადგინა *კიურის კანონი*. აღმოაჩინა კრიზისული ტემპ-რა (იხ. *კიურის წერტილი*). 1898-იდან ცოლთან, მ. სკლოდოვსკა-კიურისთან ერთად სწავლობდა რადიოაქტივობას. მათივე აღმოაჩინეს ქიმ. ელემენტები — პოლონიუმი და რადიუმი (1898). 1903 აღმოაჩინა რადიუმის მარილების მიერ სითბოს თვითნებური გამოყოფა და სხვ. ნობელის პრემია (1903).

ლიტ.: Кюри М., Пьер Кюри..., пер. с франц., М., 1968

კიური, რადიოაქტიურ წყაროში *ნუკლიდის* აქტივობის (იზოტოპის აქტივობის) სისტემისგარეშე ერთეული. სახელი ეწოდა ფრანგი მეცნიერების პ. *კიურისა* და მ. *სკლოდოვსკა-კიურის* პატივსაცემად. შემოკლებული აღნიშვნებია: ქართ. — *კიური*, საერთაშ. — Ci. პირველად (1910) კ-ს განსაზღვრავდნენ როგორც 1 *გ* რადიუმთან რადიოაქტ. წონასწორობაში მყოფი რადონის (რადიუმის ემანაციის) რაოდენობას. 1 კ-ის შესაბამისი რადონის რაოდენობას აქვს $6{,}51 \cdot 10^{-6}$ *გ* მასა და შეიცავს $1{,}78 \cdot 10^{16}$ ატომს. 1 კ. აქტივობის რადონის დაშლის სიჩქარეა $3{,}7 \cdot 10^{10}$ დაშლა წამში. ამჟამად კ-ს განსაზღვრავენ როგორც აქტივობას ნებისმიერი ნუკლიდისა, რ-შიც ხდება დაშლის $3{,}700 \cdot 10^{10}$ აქტი წამში.

კიური-ვეისის კანონი, პარამაგნეტიკების $\varkappa_m$ მაგნიტური ამთვისებლობის ტემპერატურული დამოკიდებულება. გამოისახება ასე: $\varkappa_m = C'/(T - \Delta)$, სადაც C' და Δ ნივთიერების მუდმივებია (პ. ვეისი, 1907). ბევრ შემთხვევაში C' მუდმივა მოცემული სახის მაგნ. იონებისათვის პრაქტიკულად ემთხვევა C მუდმივას *კიურის კანონში*. Δ მუდმივა ახასიათებს მაგნ. იონების ურთიერთქმედებას ერთმანეთთან და კრისტ. მესრის ველთან.

კიურითერაპია, იხ. *სხივური თერაპია.*

კიურის კანონი, ზოგიერთი პარამაგნეტიკის $\varkappa_m$ *მაგნიტური ამთვისებლობის* ტემპერატურული დამოკიდებულება, რ-იც ასე გამოისახება: $\varkappa_m = C/T$, სადაც T არის აბსოლ. ტემპ-რა, C — ნივთიერების მუდმივა (კიურის მუდმივა). დაადგინა პ. *კიურიმ* 1895.

კიური-სკლოდოვსკა (Curie-Sklodowska) მარი (1867—1934), ფრანგი ფიზიკოსი და ქიმიკოსი. იხ. *სკლოდოვსკა-კიური* მ.

კიურის წერტილი, კიურის ტემპერატურა, II გვარის *ფაზური გადასვლების* ტემპერატურა, რ-იც დაკავშირებულია ნივთიერების სიმეტრიის თვისებების (მაგ., მაგნიტური — *ფერომაგნეტიკებში*, ელექტრული — *სეგნეტოელექტრიკებში*, კრისტალოქიმ. — მოწესრიგებულ შენადნობებში) ნახტომისებრ ცვლილებასთან. სახელი ეწოდა პ. *კიურის* პატივსაცემად. Θ კ. წ-ზე ნაკლები ტემპერის დროს ფერომაგნეტიკები ხასიათდება თვითნებური (სპონტანური) დამაგნიტებულობით და განსაზღვრული მაგნ. კრისტ. სიმეტრიით. კ. წ-ზე ($T=\Theta$) ფერომაგნეტიკის ატომების სითბური მოძრაობის ინტენსიურობა საკმარისი აღმოჩნდება მისი თვითნებური დამაგნიტებულობის (მაგნიტური წესრიგის) დარღვევისა და სიმეტრიის ცვლილებისათვის, რის შედეგადაც ფერომაგნეტიკი პარამაგნიტურ მდგომარეობაში გადადის. ასევე ირღვევა ანტიფერომაგნეტიკებისათვის დამახასიათებელი მაგნ. სტრუქტურა, როცა $T=\Theta$ (ე. წ. ანტიფერომაგნ. კ. წ-ში ანუ ნეელის წერტილში). სეგნეტოელექტრიკებსა და ანტისეგნეტოელექტრიკებში $T=\Theta$ ტემპ-რაზე ატომთა სითბურ მოძრაობას კრისტ. მესრის ელემენტარული უჯრედების ელექტრული დიპოლების თვითნებური მოწესრიგებული ორიენტაცია ნულამდე დაყავს. მოწესრიგებულ შენადნობებში კ. წ-ზე მათი კომპონენტების ატომთა (იონთა) განლაგებაში შორი წესრიგის ხარისხი ნულის ტოლი ხდება.

ამრიგად, II გვარის ფაზური გადასვლების ყველა შემთხვევაში $T=\Theta$ დროს ნივთიერებაში ხდება ამა თუ იმ სახის ატომური „წესრიგის" გაქრობა.

კიურიუმი (Curium), Cm, ხელოვნურად მიღებული *აქტინოიდების* ოჯახის რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი; ატ. ნომერი 96, $t_{\text{დნ}}$ 1340°C, სიმკვრივე 13 *გ*/*სმ*³, მოვერცხლისფერო ლითონი, მდგრადი იზოტოპები არა აქვს. კ. პირველად 1944 მიიღეს ამერ. მეცნიერებმა გ. სიბორგმა, ჯ. ჯეიმსმა და ა. გიორსომ. კ-ის ნაერთებიდან სინთეზირებულია Cm_2O_3, $CmCl_3$, CmO_2, CmF_4. სხვა აქტინოიდებისაგან კ. შეიძლება გამოვყოთ იონმიმოცვლითი მეთოდებით. კ-ის იზოტოპებს ^{242}Cm, ^{244}Cm იყენებენ ელექტრული დენის მცირეგაბარიტიან წყაროს შესაქმნელად. სახელი ეწოდა პ. *კიურისა* და მ. *სკლოდოვსკა-კიურის* პატივსაცემად.

ტ. კიუვიე.

კიუსიუ, კიუ-შიუ, კუნძული იაპონიის სამხრ. ნაწილში. აღმ-ით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ჩრდ.-აღმ-ით — იაპონიის შიგა ზღვა, დას-ით — აღმ. ჩინეთის ზღვა. ფართ. დაახლ. 42 ათ. *კმ*², სამხრ., დას. და ჩრდ.-აღმ. ნაპირები შეჭრილ-შემოჭრილია, აღმ. ნაპირი — სწორხაზოვანი. ზედაპირი უმთავრესად მთაგორიანია. დას. და ჩრდ.-დას. ნაწილში ალუვიური ვაკეა. მთები აგებულია უმთავრესად გრანიტებით, ფიქლებითა და ვულკ. ქანებით. ბევრია მოქმედი ვულკანი (ასო, კირისიმა, საკურაძიმა და სხვ.). უმაღლესი მწვ. ვულკ. კონუსი კუძიუ (1788 *მ*). კ-ს ჩრდ.-დას. ნაწილში ქვანახშირის საბადოებია. ბევრია ცხელი წყარო. ხშირია მიწისძვრა. ჰავა სუბტროპ., მუსონური. იანვ. საშ. ტემპ-რა მთაში დაახლ. 0°C, ბარში 10°C; ივლ. შესაბამისად, 15 და 28°C. ნალექები 1600—3000 *მმ* წელიწადში. ხშირად იცის ტაიფუნი. მდ-ები მთის ტიპისაა, იყენებენ სარწყავად. 850 *მ* სიმაღლემდე სუბტროპ. მარადმწვანე ტყეებია, უფრო მაღლა — ფოთოლმცვივანი და წიწვოვანი ტყეები და მდელოები; სამხრ. ნაწილში — ტროპ. ტყეები. კ. მჭიდროდ არის დასახლებული (1 *კმ*²-ზე 300 კაცი). წყალქვეშა გვიანდით კ. უკავშირდება კ. ჰონსიუს. დიდი ქ-ებია: კუმამოტო, ნაგასაკი, კიტაკიუსიუ.

პ. კიური.

კიუსტენდილი, ქალაქი დას. ბულგარეთში, კიუსტენდილის ოკრუგის ადმ. ცენტრი. 48 ათ. მცხ. (1975). მეხილეობისა და მეთამბაქოეობის რ-ნის ცენტრი. ხილსაკონსერვო, თამბაქოს, მანქანათსაშ., საფეიქრო, ავეჯის მრეწველობა. მეხილეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი.

ერთ-ერთი უძველესი ბალნეოლ. კურორტი. მის თერმებს რომაელები ჯერ კიდევ II ს-ში იყენებდნენ.

კიუსტენდილის ოკრუგი, ადმ.-ტერ. ერთეული დას. ბულგარეთში, იუგოსლავიის საზღვართან. ფართ. 3 ათ. *კმ*². მოსახლ. 199 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. კიუსტენდილი. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს რილისა და ოსოგოვსკე-პლანინის მთებს და მთათაშუა ქვაბულებს. იღებენ მურა ნახშირს, განვითარებულია ელექტროენერგეტ., ხე-ტყისა და ქაღალდის, ფარმაცევტული, მანქანათსაშ., კვების მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია სტანკე-დიმიტროვი და კიუსტენდილი. სოფ. მეურნ. მთავარი დარგებია: მეთამბაქოეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა (მსხვ. რქ. საქონელი, ცხვარი). ხილისა და მაღალხარისხოვანი თამბაქოს დიდი ნაწილი საექსპორტოა. არის ბალნეოლ. კურორტები — კიუსტენდილი და საპარევა-ბანია, მოის კურორტები და ტურისტული ბაზები. კულტ.-ისტ. ძეგლი — რილის მონასტერი.

ვ. კიუხელბეკერი.

ი. კილურაძე.

ს. კიშკინი.

ჟ. კიშფალუდი-შტრობლი. „მშვილდოსანი". ბრინჯაო. 1918—19. ერმიტაჟი. ლენინგრადი.

კიუხელბეკერი ვილგელმ კარლის ძე [10 (21). VI. 1797, პეტერბურგი, 11 (23). VIII. 1846, ტობოლსკი], რუსი პოეტი, დეკაბრისტი. 1811—17 სწავლობდა ცარსკოე-სელოს ლიცეუმში, სადაც დაუმეგობრდა ა. პუშკინსა და ა. დელვიგს. 1815-იდან წერდა თავისუფლების სულისკვეთებით აღსავსე ლექსებს. 1821 დამლევს ცარიზმისაგან დევნილი ჰ. თბილისში ჩამოვიდა, სადაც ნახევარი წელი დაყო, დაუახლოვდა აქ მყოფ ა. გრიბოედოვს, გაეცნო ქართვ. მოღვაწეებს. ჰ. აღტაცებული იყო საქართველოთი (ლექსი „ბედმა ალერსი მე არ მარგუნა" და სხვ.). 1825 პეტერბურგში დეკაბრისტების ფარული საზ-ბის წევრი გახდა. 1826—46 ციხესა და გადასახლებაში გაატარა.

ჰ-ის იდეალია „თავისუფლების წინასწარმეტყველი", დესპოტიზმის წინააღმდეგ განუხრელად მებრძოლი პოეტი-მოქალაქე (ლექსები „ახატეს", 1821; „წინასწარმეტყველება", 1822; „პოეტების ხვედრი", 1823). ტრაგედიაში „არგოსელები" (1822—25) ჰ-მა ანტ. მასალა ტირანიის გასაკიცხად გამოიყენა. დეკაბრისტული იდეებია გადმოცემული რომანში „უკანასკნელი კოლონა" (1832—42), დრამაში „იეორსკი" (1829—41) და სხვ. ჰ. ციხესა და შორეულ ციმბირში ხშირად იგონებდა საქართველოს (პოემა „იური და ქსენია", 1832—33, სრულად გამოქვეყნდა 1939 და სხვ.).

თხზ.: [წიგნში] დეკაბრისტი-პოეტები, თბ., 1958.

ლიტ.: Шадури В., Декабристская литература и грузинская общественность, Тб., 1958. *ვ. შადური.*

კიფოზი (ბერძნ. kyphos — მოხრილი), ადამიანის ხერხემლის გამრუდება, უკან გადაღუნვა. განვითარების პროცესში ბავშვს ხერხემლის გულმკერდისა და გავის ნაწილებში უჩნდება ფიზიოლ. ჰ. სიბერეში მალთაშუა ხრტილების ასაკობრივი ცვლილებებისა და კუნთების ტონუსის დაქვეითების შედეგად გულმკერდის ჰ. შეიძლება მკვეთრად გადიდდეს. პათოლ. ჰ. ჩვეულებრივ მჟღავნდება პირველივე წლის II ნახევარში, როდესაც ბავშვი ფეხზე დგება და სიარულს იწყებს. ჰ. შეიძლება განვითარდეს რაქიტის, ხერხემლის ტუბერკულოზის, ზოგჯერ ოჯახობრივი ან სხვა რაიმე დაავადების შედეგად, აგრეთვე დახრილ მდგომარეობაში ხანგრძლივად ჯდომის გამო (ზოგიერთი პროფესია, ახლო-მხედველობა).

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: ვარჯიშის სპეც. კომპლექსი, ზურგის კუნთების გამაგრება (მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები). თუ კონსერვატულმა მკურნალობამ უშედეგოდ ჩაიარა, საჭიროა ოპერაცია.

კილურაძე გივი შალვას ძე (12. II. 1922, თბილისი, — 5. VIII. 1978, იქვე), ქართველი საბჭოთა ისტორიკოსი, ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი. 1943 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1951-იდან თსუ-ის დოცენტი, 1970-იდან პროფესორი. 1969-იდან თსუ-ის ახალი და უახლესი ისტ. კათედრის გამგე. ჰ-ის მეცნიერული შრომები ეხება ინგლ. და საფრ. ბურჟ. რევოლუციების, აგრეთვე ახ. და უახლესი ისტ. საკითხთა ფართო წრეს.

თხზ.: საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან, თბ., 1963; ახალი ისტორია, წგნ. 1, თბ., 1970; XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია, წგნ. 1 (1603—1642), თბ., 1979.

კილურაძე ივანე ტარიელის ძე (დ. 12. I. 1937, სოფ. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი), ქართველი საბჭ. მათემატიკოსი, საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979). ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1976). დაამთავრა თსუ (1960). 1963—73 მუშაობდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტსა და თსუ-ში, 1973-იდან კი თსუ ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტის განყ-ბის გამგედ. იკვლევს სინგულარულ სასაზღვრო ამოცანებს და მათთან დაკავშირებულ ჩვეულებრივ დიფერენც განტოლებათა თვისებრივი თეორიის საკითხებს.

თხზ.: Некоторые сингулярные краевые задачи для обыкновенных дифференциальных уравнений, Тб., 1975.

კიშალფელდი (Kisalföld), უ ნ გ რ ე თ ი ს მ ც ი რ ე დ ა ბ ლ ო ბ ი, შუა დუნაის ვაკის ნაწილი ჩრდ.-დას. უნგრეთში, მდ. დუნაის, ბაკონის მთებსა და ალპების აღმ. შტოქედებს შორის. წარმოადგენს ტექტონ. ღრმულს, რ-იც ამოვსებულია ფხვიერი ნალექების სქელი ფენით. ზედაპირის სიმაღლე 100—150 *მ*. ჩრდ. ნაწილი ბრტყელი ვაკეა, სამხრ. ნაწილი — ბორცვიანი ვაკე. ჰავა ზომიერია. ნალექები დაახლ. 600 *მმ* წელიწადში. მნიშვნელოვანი ნაწილი დახნულია. ფართოფოთლოვანი ტყეები შემორჩენილია მხოლოდ სამხრ.-დას. ნაწილში.

კიში (Kisch) ეგონ ერვინ (29. IV. 1885, პრაღა, — 31. III. 1948, იქვე), ჩეხი გერმანულენოვანი მწერალი. ავსტრიის კომპარტიის წევრი 1918-იდან. 1925, 1926, 1930, 1931 სსრკ-ში იმოგზაურა და მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე დაწერა პოლიტ. რეპორტაჟი „მეფეები, მღვდლები, ბოლშევიკები" (1927). ბურჟ. პრესის ცილისწამებათა გასაბათილებლად იგი აღწერს ჩვენი ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. ვითარების რეალურ სურათებს, აქვე ეხება საქართველოს, კერძოდ, თბილისს, მის ეკონ. და კულტ. ღირსშესანიშნაობებს, ეთნოგრ. თავისებურებებს; წიგნი სცოდავს გაზვიადებული „ქართული ეგზოტიკით". ჰ-ს დაწერილი აქვს რომანები („მაჭანკალი", 1914 და სხვ.), პიესები („მოპარული ქალაქი", 1923 და სხვ.), მოთხრობები, რეპორტაჟები და სხვ.

შ. რევიშვილი.

კიშინიოვი (მოლდ. კ ი შ ი ნ ე უ), მოლდ. სსრ დედაქალაქი. მდებარეობს მდ. ბიკის (დნესტრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, კოდრის (ამაღლებული ტყიანი ადგილი) მიდამოებში. რკინიგზის სადგ., საავტ. გზების კვანძი, აეროპორტი. იანვ. საშ. ტემპ-რა —3,5°C, ივლ. 21,5°C. 503 ათ. მცხ. (1979; 1897 წ. — 108 ათ., 1939 წ. — 112 ათ., 1959 წ. — 216 ათ., 1970 წ. — 356 ათ.).

ჰ-ის ადგილზე არსებული დასახლება წყაროებში პირველად 1466 იხსენიება. XVII ს. II ნახევრიდან ქალაქია. 1818-იდან ბესარაბიის ოლქის ცენტრია, 1873-იდან — ბესარაბიის გუბერნიისა. 1896 ჰ-ში შეიქმნა ს.-დ. წრე, რ-იც 1900 გადაიქცა რსდმპ-ში შემავალ ს.-დ. ჯგუფად. 1901 აპრ. — 1902 მარტში აქ მუშაობდა გაზ. „ისკრის" არალეგალური სტამბა. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 1 (14) იანვარს. იმავე თვის ბოლოს ჰ. დაიკავეს რუმ. ჯარებმა. 1940 წ. 28 ივნ. ბესარაბია შეუერთდა სსრკ-ს, 2 აგვ. შეიქმნა მოლდ. სსრ, ხოლო ჰ. მისი დედაქალაქი გახდა. 1941 წ. 16 ივლისიდან 1944 წ. 24 აგვ-მდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. 1966 ქალაქი დაარსების 500 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

კიშინიოვი. ლენინის პროსპექტი.

მრეწვ. მთავარი დარგებია: მანქანათმშ. (უმთავრესად ზუსტი) და ლითონდამუშავება. დიდი საწარმოებია: „ელექტრომაშინა", ელექტროსაზომი ხელსაწყოების — „ვიბროპრიბორი" (ამზადებს ოსცილოგრაფებს), „ელექტროტოჩპრიბორი" (დეფექტოსკოპების წარმოება), სატრაქტორო — „ვიერული", ჰერმეტული ტუმბოების, მაცივრების, სარეცხი მანქანების, „მიკროპროვოდი" და სხვ. ჰ. კვების მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრია. განვითარებულია მეღვინეობის, ხილბოსტნეულის საკონსერვო, საფქვავი და სხვა დარგები. მსუბუქი მრეწვ. დარგებიდან გამოირჩევა სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის. ახ. დარგია ქიმ. მრეწველობა. საშენ მასალათა მრეწვ. ამზადებს რკინაბეტონის კონსტრუქციებს, მოსაპირკეთებელ ფილებს და სხვ.; არის 3 ავეჯის ფ-კა, ხის დასამუშ. კომბინატი „კოდრები".

ქალაქი იყოფა ქვემო — შუა საუკ. და ზემო — რეგულარულად დაგეგმარებულ ნაწილებად (გენ. გეგმა 1834). არქიტ. ძეგლებია: ღვთისმშობლის შობის ეკლესია (XVIII ს.), საკათედრო ტაძარი (ახლა მოლდ. სსრ სამხატვრო მუზეუმის ფილიალი; 1830—35, არქიტ. ა. მელნიკოვი) და სხვ. 1918—40 აშენდა მცირესართულიანი სახლები. ომის შემდეგ შედგა გენ. გეგმა (1947, ხელმძღვ. ა. მჩუსევი), რეკონსტრუირებულია ლენინის პროსპექტი, გაიყვანეს ახ. ქუჩები, აშენდა ადმ. შენობები, მ. შ. მოლდ. სსრ მთავრობის სახლი (1964, არქიტ. ს. ფრიდლინი), განაშენიანდა ვაგზლის მოედანი (ვაგზალი, 1948, არქიტ. ლ. ჩუპრინი), შეიქმნა ახ. სამრეწვ. და საცხოვრ. რ-ნები. ქალაქში დგას ა. პუშკინის (1885, მოქანდაკე ა. ოპეკუშინი), ვ. ი. ლენინის (1949, მოქანდაკე ს. მერკუროვი), გ. კოტოვსკისა (1953, მოქანდაკე ლ. დუბინოვსკი და სხვ.) და სხვა ძეგლები.

ჰ-ში არის *მეცნიერებათა აკადემია მოლდავეთის სსრ-ისა* და მისი ინ-ტები, ნ. დიმოს სახ. ნიადაგთმცოდნეობისა და აგროქიმ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, მოლდ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, კიშინიოვის სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ვოლნა" და სხვ.; 1979 იყო 6 უმაღლესი სასწავლებელი (40 ათ. სტუდენტი). 80 ზოგადსაგანმან. სკოლა (63 ათ. მოსწავლე), 10 პროფტექ. სკოლა და სასწავლებელი (63 ათ. მოსწავლე), 16 საშ. სპეც. სასწავლებელი (6 ათ. მოსწავლე), 130-ზე მეტი სკოლამდელი დაწესებულება (22 ათ-მდე აღსაზრდელი); 83 მასობრივი ბ-კა (24 ათ-ზე მეტი ც. წიგნი და ჟურნალი); 11 მუზეუმი, მ. შ. მოლდ. კომპარტიის ისტ. მუზეუმი, მოლდ. სსრ ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ლენინური გაზ. „ისკრის" ჰ-ის არალეგალური სტამბის მუზეუმი, გ. კოტოვსკისა და ს. ლაზოს რესპ. მემორიალური მუზეუმები, ა. პუშკინის სახლ-მუზეუმი და სხვ.; მოლდ. ოპერისა და ბალეტის, ა. პუშკინის სახ. მუს.—დრამ., ა. ჩეხოვის სახ. რუს. დრამ., მოზარდ მაყურებელთა („ლუჩაფერული"), თოჯინების („ლიკურიჩი") თეატრები, ფილარმონია, 66 საკლუბო დაწესებულება, 9 კინოთეატრი და 27 სტაციონარული კინოდანადგარი; რესპ. გამომცემლობები — „კარტია მოლდოვენიასკე" („მოლდავური წიგნი"), „ლუმინა" („სინათლე") და სხვ.; დეპეშათა რესპ. სააგენტო, რესპ. რადიომაუწყებლობა (1930) და ტელეცენტრი (1958). რადიოგადაცემები მიმდინარეობს 3 პროგრამით, ტელეგადაცემები — 2 პროგრამით, მოლდ. და რუს. ენებზე. გამოდის საღამოს გაზეთები: „კიშინიუ. გაზეტე დე სარე" („კიშინიოვის საღამოს გაზეთი", მოლდ. ენაზე, 1966-იდან) და „ვეჩერნი კიშინიოვი" (რუს. ენაზე, 1958-იდან).

1979 ჰ-ში იყო 25 საავადმყოფო დაწესებულება 8,5 ათ. საწოლით (16,9 საწოლი 1 ათ. მცხოვრებზე), 58 ამბულ.-პოლიკლინიკა და სხვ., 4,5 ათ. ექიმი (1 ექიმი

110,8 მცხოვრებზე) და 7,3 ათ. საშ. მედ-მუშაკი.

კიშინიოვის უნივერსიტეტი ვ. ი. ლენინის სახელობისა, დაარსდა 1945. 1971 მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი. უნ-ტს აქვს (1977): ფიზ. და კიბერნ., მათ., ქიმ., ბიოლ.-სანიადაგო, ისტ., იურიდ., ფილოლ., უცხო ენების, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, მოსამზადებელი (საზღვარგარეთელი სტუდენტებისათვის) ფაკ-ტები; დაუსწრებელი განყ-ბა; ასპირანტურა; 51 კათედრა, ასტრონ. სადგური, 5 სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია, ბუნებისმეტყველების მუზეუმი; ბ-კა (1,5 მლნ. დაცვითი ერთეული). სწავლება მოლდ. და რუს. ენებზეა. 1977 სწავლობდა 8 ათ-მდე სტუდენტი, მუშაობდა 500 მასწავლებელი, მ. შ. 31 პროფესორი და მეცნ. დოქტორი, 300 დოცენტი და მეცნ. კანდიდატი. 1949-იდან გამოსცემს „სამეცნიერო წერილებს". დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით (1971).

კიშკინი სერგეი ტიმოთეს ძე [დ. 17 (30). V. 1906, ლუგანსკი, ახლანდ. ვოროშილოვგრადი], საბჭ. მეცნიერი, ლითონთმცოდნე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). სკკპ წევრი 1939-იდან. 1931 დამთავრა ბაუმანის სახ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. 1948—60 იყო მოსკ. საავიაციო ინ-ტის კათედრის გამგე. მისი ძირითადი შრომები ეხება ლითონთმცოდნეობას. სსრკ სახელმწ. პრემია (1942, 1949, 1968). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ: Физические основы металловедения, М., 1955 (თანაავტ.).

კიშტიმი, ქალაქი (1934-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში, შუა ურალის აღმ. კალთაზე. რკინიგზის სადგური სვერდლოვსკ—ჩელიაბინსკის ხაზზე. ელექტროლიზური სპილენძის, მანქანათსაშ., რადიოს, ცეცხლგამძლე და აბრაზიულ მასალათა ქ-ნები, გრაფიტ-კაოლინის კომბინატი, ფეხსაცმლის და ტრიკოტაჟის ფ-კები. ჩელიაბინსკის პოლიტექ. ინ-ტის საღამოს განყ-ბა, სამედ. სასწავლებელი.

კიშფალუდი-შტრობლი (Kisfaludi-Strobl) ჟიგმონდ (1. VII. 1884, სოფ. ალშორაიკი, ზალის მედიე — 12. III. 1972, ბუდაპეშტი), უნგრელი მოქანდაკე. უნგრ. სახ. მხატვარი (1952), სსრკ სამხატვრო აკად. საპატიო წევრი (1958). სწავლობდა ბუდაპეშტის დეკორ. და გამოყენებითი ხელოვნ. ინ-ტში (1900—05), ვენის გამოყენებითი ხელოვნ. აკადემიაში (1905—06) და ჟიულიანის აკადემიაში პარიზში (1906—08). 1924-იდან იყო ბუდაპეშტის სამხატვრო აკად. პროფესორი. ნამუშევრები: განთავისუფლების მონუმენტი გელერტის მთაზე, ბუდაპეშტში (1947); სომერსეტ მოემის (1948) და ბერნარდ შოუს (1932) პორტრეტები; „მოგზაური პეტეფი" (1949), „მთიბავი" (1954) — ყველა ბრინჯაო, უნგრ. ეროვნ. გალერეა, ბუდაპეშტი. დაჯილდოებულია კოშუტის სახ. პრემიით (1950, 1953).

ლიტ.: Вучетич Е. В., Жигмонд Кишфалуди-Штробль, М., 1960.

კიჩე, ინდიელი ხალხი გვატემალაში. რაოდ. დაახლ. 0,8 მლნ. (1975, შეფასება). ენა განეკუთვნება მაია-სოკე ენებს. ოფიც. რელიგია — კათოლიკობა, ინარჩუნებენ წინაქრისტ. რწმენებსაც. ესპანელთა დაპყრობამდე ამ ხალხმა შექმნა ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფო, რ-ის მთავარი ქალაქი იყო გუმარკახი (უტატლანი). მთავარი საქმიანობა—მიწათმოქმედება. მნიშვნელოვანი ნაწილი სეზონურად მუშაობს ყავის პლანტაციებში. განვითარებულია ხელოსნობა — ფეიქრობა და მეთუნეობა.

კიჩენერი (Kitchener), ქალაქი სამხრ. კანადაში, ონტარიოს პროვინციაში, მდ. გრანდ-რივერის ხეობაში. 131,9 ათ. მცხ. (1976). მანქანათსაშ., ლითონდასამუშ., ქიმ., ტყავის, საფეიქრო, კვების, ელექტროტექ. მრეწველობა.

კიჩო, გემის ბოლო. კ-ს წყალქვეშა ნაწილის ფორმა გავლენას ახდენს გემის მოძრაობისას წყლის წინააღმდეგობაზე, გემის მართვადობასა და მისი მაძრავის მუშაობის პირობებზე, ხოლო კ-ს წყალზედა ნაწილის მოხაზულობა განაპირობებს გემის მოწყობილობებისა (საჭეური, საბუქსირო და სხვ.) და ნაგებობების მოხერხებულად განლაგებას. თანამედროვე სატრანსპ. გემებს აქვს კრეისერული კ. (ნახ.); კრეისერული კ-ს ნაირსახეობაა ყინულმჭრელი კ. ჩვეულებრივი კ. აქვს ძველად აგებულ საზღვ. და სამდინარო გემებს, ტრანცული კ. კი — კონტეინერსაზიდებს, ტრაულერებს და სხვ.

კიჩო (ლათ. Puppis), ცის სამხრ. ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*. მისი 3 უბრწყინვალესი ვარსკლავი 2,2; 2,8; 2,8 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა*. მთლიანად ჩანს სსრკ-ის მხოლოდ სამხრ. რ-ნებიდან. ხილვადობის საუკეთესო პირობებია იანვარში.

კიჩოჯეორთი, მთა აღმ. კავკასიონის ჩრდ. შტოქედ შავანაზე, მდ-ების ხდისწყლისა და არმხის წყალგამყოფზე, სიმაღლე 4117 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. ჩრდ.-დას. და ჩრდ.-აღმ. კალთებზე პატარა მყინვარებია. კ-ზე მთამდელოსა და გლაციალურ-ნივალური ლანდშაფტებია. *ლ. მარუაშვილი.*

კიჩხულდაში, სოფელი მესტიის რ-ნში (ნაკის სოფსაბჭო), სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1600 *მ*, მესტიიდან 51 *კმ*. ლახამულის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ნაკში (9 *კმ*).

კიცხი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში, მდ. ბორიმელის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ბორი, კიცხისიგორეთი, საქარიქედი). ზ. დ. 400 *მ*, ორჯონიკიძიდან 10 *კმ*. კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა, სკოლა-ინტერნატი, საბავშვო ბაღი, საქ. სსრ ნიადაგთმცოდნეობის ინ-ტის საცდელი სადგური, კლუბი, ბ-კა, საავადმყოფო, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კიცხისიგორეთი, სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში (კიცხის სოფსაბჭო), იმერეთის სამხრ. მთისწინეთში. ზ.დ. 420 *მ*, ორჯონიკიძიდან 8 *კმ*. კიცხის კოლ-ბა (მევენახეობა, მემინდვრეობა, მეცხოველეობა). საშ. სკოლა სოფ. კიცხში (3 *კმ*).

კიწია, გეგეჭკორის რ-ნის სოფლების *პირველი კიწიისა* და *მეორე კიწიის* ძვ. სახელწოდება.

კიჭიჭა (Crepis), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახია. ცნობილია 200-მდე სახეობა, რ-იც გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და აფრიკაში. სსრკ-ში 52-მდე სახეობაა; საქართველოში — 12, მ. შ. 2 კავკ. ენდემია; იზრდება ბუჩქნარში, ტყის პირებზე, დეკიანებში, სუბალპ. ტანბრეცილ ტყეში, ალპ. მდელოზე და სხვ. ზოგ სახეობას საქონელი ეტანება. C. ciliata-ს მიწისზედა ნაწილები შეიცავს კაუჩუკს.

კლაგენფურტი (Klagenfurt), ქალაქი ავსტრიაში, მთათაშუა ქვაბულში, მდ. გლანის ნაპირზე, ვერთერზეეს ტბის მახლობლად. კარინტიის მხარის ადმ. ცენტრი. 82 ათ. მცხ. (1974). სარკინიგზო კვანძი. ხის დასამუშ., ელექტროტექ., მანქანათსაშ., საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლის, თამბაქოს მრეწველობა. კ-ის ჩრდ-ით არის აეროპორტი ანაბინლი.

კლადელი (Cladel) ლეონ (13. III. 1835, მონტობანი, — 20. VII. 1892, სევრი), ფრანგი მწერალი. რევ.-დემოკრ. ლიტ-რის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია რომანტიზმისა და რეალიზმის რთული შეხამება. 60-იანი წლების „გლეხურ ციკლში" რომანტ. ტრადიციები ჭარბობდა; შემდეგ მისი იდეური ევოლუციისა და შემოქმედებითი შთაგონების წყარო პარიზის კომუნა გახდა. მისი რომანების, ნოველების, მოთხრობებისა და ნარკვევების 30-ზე მეტი ტომი უმეტესად მშრომელთა მასების ცხოვრებისა და ბრძოლის თემას ეძღვნება. მათგან მნიშვნელოვანია რომანი „ჟაკ რატასი" („INRI", 1872—87, გამოქვეყნდა 1931).

კლადნო (Kladno), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში. 62 ათ. მცხ. (1976). ქვანახშირ-მეტალ. ცენტრი პრაღის მახლობლად. კ-ს რ-ნში არის ქვანახშირის აუზი. ქალაქში არის მარშალ კონევის სახ. მეტალ. კომბინატი, გადასამუშ. ქ-ნა (ამზადებს უნიკალური მარკის ფოლადს), მეტალ. და სამთო მანქანათსაშ. საწარმოები. კ-ს აქვს სახელოვანი რევ. ტრადიციები.

კლადოდიუმი (<ბერძ. klados—ტოტი), მცენარის სახეცვლილი მწვანე გაბრტყელებული ტოტი, რ-იც ფოთლის ფუნქციას ასრულებს. კ-ზე განლაგებული ფოთლები ძალზე რედუცირებულია და ხშირად ეკლებადაა ქცეული. კ-ის ღეროსეულ ბუნებას ადასტურებს მისი მდებარეობა ქერქლისებრი ფოთლის უბეში, და მასზე ყვავილების განვითარება, რაც ნამდვილ ფოთოლზე არასოდეს არ ხდება. ჩვეულებრივად დამახასიათებელია ცხელი და გვალვიანი ადგილის მცენარეთათვის (ვერტ. მდებარეობისა და მცირე ზედაპირის გამო წყალს ნაკლებად აორთქლებს). კ. უვითარდება სატაცურს, ეკალღიჭს და სხვ. ზოგჯერ კ. ადრე წყვეტს სიგრძეში ზრდას და გარეგნულად ფოთოლს ემსგავსება. მაშინ მას *ფილოკლადიუმს* უწოდებენ.



გემის კიჩოს ტიპური სქემები: ა—კრეისერული; ბ—ჩვეულებრივი; გ—ტრანცული კიჩო.

კლადონია (Cladonia), მღიერების გვარი. აქვთ ორგვარი *თალუსი*: პირველადი—პორიზონტალური, ქაფისებრი ან ქერქლისებრი; მეორეული — ვერტიკალური, აღმოცენდება ხოლმე პირველადისაგან, სადგისისებრი, რქისებრი ან დაბუჩქული გამონაზარდების — პოდეციუმების სახით. ცნობილია 300-მდე სახეობა (სსრკ-ში 100-მდე). სახლობენ ძირითადად ნიადაგზე, ტყეში (მეტწილად ფიჭვნარში), ტუნდრასა და ჭაობში. ზოგი სახეობა ჩრდ. ირმის საკვებია, ზოგი უსნინის მჟავას შეიცავს და სამკურნალოა.

კიჭიჭა (Crepis caucasica).

კლავდიუსები (ლათ. Claudii), ძვ. რომის არისტოკრატიულ-პატრიციული საგვარეულო, მომდინარეობს საბინელთა ტომიდან. ძვ. წ. I ს-იდან კლოდიუსებადაც იწოდებოდნენ. ძვ. წ. IV ს. კ-ის გვარს გამოეყო მარცელუსების პლებეური შტო. კ-იდან უსაჩინოესი იყვნენ: 1. აპიუს კლავდიუსი (Appius Claudius) (გ. ძვ. წ. 448), კონსული ძვ. წ. 471 და 451. 2. აპიუს კლავდიუს კრასუსი (Appius Claudius Crassus) (გ. ძვ. წ. 349), პლებეების დაუძინებელი მტერი. 3. აპიუს კლავდიუს უსინათლო (Appius Claudius Caecus, caecus—უსინათლო), ცენზორი ძვ. წ. 312. მისი მეთაურობით აშენდა რომში პირველი აკვედუკი; გაიყვანა ე. წ. *აპიუსის გზა* (Via Appia), სენატში ჩარიცხა გაანზატებულ მონათა შვილები, კომიციაში შეიყვანა უმიწაწყლო მდაბიონნი. 280 უკვე ღრმად მოხუცმა და დაბრმავებულმა სენატში წარმოთქვა სიტყვა (რომაული რიტორიკის ნიმუში) პიროსთან ზავის დადების წინააღმდეგ. მისი სიტყვით წაქეზებულმა რომაელებმა პიროსთან ომი განაგრძეს და ძლევამოსილად დაამთავრეს. 4. მარკუს კლავდიუს მარცელუსი (Marcus Claudius Marcellus) (ძვ. წ. 270—208). ახალგაზრდობისას თავი გამოიჩინა პირველ პუნიკურ ომში. მე-2 პუნიკური ომის დროს კიდევ ოთხჯერ იყო კონსული (215, 214, 210, 208) და მთავარსარდალი. 211 აიღო სირაკუსა, რ-ის დაცვას ხელმძღვანელობდა არქიმედე. 208 დაილუპა ჰანიბალთან შეტაკებისას. *ლ. სანიკიძე.*

კლავდიუსი ტიბერიუს დრუზუს ნერონ გერმანიკუს (Tiberius Claudius Drusus

კლადონია (Cladonia rangiferina).



კლავიკორდი.

კლავესინი.



კლავიშიანი გამომთვლელი მანქანა. ნახ. 1. „ელექტრონიკა" 22—21.

ჰ. ლ. კლაიბერნი.



კლავიშიანი გამომთვლელი მანქანა. ნახ. 2. იაპონური ელექტრონული გამომთვლელი მანქანა TTEKNIKA—12188.

Nero Germanicus) (ძვ. წ. 10, ლუგდუნუმი, — ახ. წ. 54), რომის იმპერატორი 41-იდან. იულიუს-კლავდიუსების დინასტიიდან. იმპერატორად გამოაცხადეს ჯარისკაცებმა კალიგულას მოკვლის შემდეგ. მზდალმა და სუსტი აღნაგობის კ-მა, რ-საც დასცინოდნენ თანამედროვენი, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რომის იმპერიის ისტორიაში. მის დროს ჩაეყარა საფუძველი იმპერიის ბიუროკრ. აპარატს და სენატის ხარჯზე საგრძნობლად გაფართოვდა იმპერატორის ძალაუფლება. კ-მა დააწინაურა მხედართა წრიდან გამოსულები და გაანაზღაურებულები, რომის მოქალაქეობა მიანიჭა პროვინციელებს, გაათავისუფლა იმპერიის ფინანს. მდგომარეობა; ეწეოდა ფართო სამშენებლო მოღვაწეობას. 43 ილაშქრა ბრიტანეთში (რ-იც შემდგომ რომის პროვინციად გამოცხადდა). 44—45 მავრიტანია შემოიმტკიცა, გაყო ორ პროვინციად. კ-ს ეკუთვნის 2 ისტ. თხზულება (ეტრუსკების და კართაგენელების ისტორია, რ-ებსაც ჩვენამდე არ მოულწევია), ავტობიოგრაფია, ციცერონის დასაცავი სიტყვა და სხვ. მოწამლა ცოლმა *აგრიპინამ.*
ლ. სანიკიძე.

კლავესინი [ფრანგ. clavecin < გვიანდ. ლათ. clavicymbalum<ლათ. clavis — გასაღები (აქედან კლავიშის სახელწოდება) და cymbalum — ციმბალები], კლავიშიანი მუსიკალური საკრავი, რ-საც რამდენიმე კლავიატურა და რეგისტრი აქვს. ფორტეპიანოს ერთ-ერთი წინამორბედი. ცნობილია XVI ს-იდან. კ-ის სიმებს ამოძრავებდნენ ფრინველის ფრთის (მოგვიანებით ტყავის პლექტრის) შეხებით. ფრთები მიმაგრებული იყო კლავიშების ბერკეტებზე. კ-ის ბგერა ბრწყინვალე, მაგრამ ნაკლებ მღერადია. თავდაპირველად კ. ოთხკუთხედის, XVII ს-იდან კი — სამკუთხედის ფორმისა იყო. ძარღვის სიმები შეიცვალა ლითონის სიმებით. კ-ის დიაპაზონია 4—5 ოქტავა. ფრანგ. საკლავესინო სკოლის დამაარსებელია ჟ. შამბონიერი.

კლავიატურა (გერმ. Klaviatur < ლათ. clavis — გასაღები), 1. მუსიკალურ საკრავებში გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებულ ბერკეტთა და კლავიშთა ერთობლიობა, საკლავიშო მექანიზმის მთავარი ნაწილი. შედგება კლავიშებისაგან, საკლავიატურო ჩარჩოსგან და შუა (ღერძის) და წინა (წარმმართველი) წკირებისაგან. კ. პირველად XII ს-ში გამოიყენეს ორგანზე, რ-საც ხელის კ-ის გარდა (მანუალები), ფეხის კ. — პედალიც ჰქონდა. ენაკიან—კლავიშიანი მუს. საკრავების კ-ს ღილაკები განლაგებული აქვს გრიფსა და კორპუსზე. სასულე საკრავების კ-ს ზოგჯერ კლაპანისა და ვენტილის მექანიზმსაც უწოდებენ. 2. რომელიმე მექანიზმის კლავიშთა ერთობლიობა (საწერი ან გამომთვლელი მანქანის და სხვ.).

კლავიკორდი (გვიანდ. ლათ. clavichordium<ლათ. clavis—გასაღები და ბერძნ. chordē — სიმი), სიმებიან-კლავიშებიანი დასარტყმელი მუსიკალური საკრავი. კორპუსი მოგრძო, ოთხკუთხა ყუთია, რ-ის ერთ-ერთ კედელზე მოთავსებულია კლავიატურა. მის პარალელურად დაჭიმულია ერთნაირი სიგრძის სიმები. კლავიშების უკანა დაბოლოებებზე დამაგრებული ლითონის თხელი ფირფიტები — ტანგენტები — ქვევიდან ურტყამენ სიმებს. დარტყმის ადგილის მიხედვით სიმი გამოსცემს სხვადასხვა სიმაღლის ბგერას. ძვ. კ. დიატონური იყო, დიაპაზონი შეიცავდა 3—3 $^1/_2$ ოქტავას. XVI ს-ში გავრცელდა ქრომატულწყობიანი კ. XVIII ს. დასაწყისში კ-ის ოქტავების რაოდენობა 5-მდე გაიზარდა.

კლავირი (გერმ. Klavier), 1. სიმებიან-კლავიშებიანი მუსიკალური საკრავების ზოგადი სახელწოდება (კლავიკორდი, კლავესინი, ფორტეპიანო). 2. კ. ან კ ლ ა ვ ი რ ა უ ს ც უ გ ი, ვოკალურ-სიმფონიური ნაწარმოების (ოპერის, ორატორიის, კანტატისა და ა. შ.) პარტიტურის გადაკეთება სიმღერისა და ფორტეპიანოსათვის ან მხოლოდ ფორტეპიანოსათვის. იშვიათად იხმარება ფორტეპიანოსათვის (2, 4 და 8 ხელით) სიმფ. ან კამერულ-საანსამბლო ნაწარმოების არანჟირების მნიშვნელობით.

კლავიშიანი გამომთვლელი მანქანა, *გამომთვლელი მანქანა,* რ-შიც საწყისი მონაცემები და პროგრამა ყოველი განსაზღვრული ოპერაციისათვის შეაქვთ კლავიშებზე ხელის დაწოლით. კ. გ. მ-ებს განეკუთვნება ციფრული გამომთვლელი მანქანა, რ-საც იყენებენ სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგში, მეცნიერებასა და ტექნიკაში გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციისათვის, საბუღალტრო საქმეში, სტატ. აღრიცხვისათვის, წარმოების დაგეგმვისა და მართვისათვის და სხვ. განასხვავებენ 10-და სრულკლავიშიან მანქანებს (ნახ. 1 და 2).

კ. გ. მ-ის მთავარი ნაწილია მრიცხველი, რ-შიც შეტანილი ციფრები თანრიგების მიხედვით იკრიბება (ერთ თანრიგში თავმოყრილი ათეული გადაეცემა შემდგომ უფროს თანრიგს). კონსტრუქციის მიხედვით კ. გ. მ. არის რელეური და ელექტრონული, გამოთვლითი პროცესის ავტომატიზაციის ხარისხის მიხედვით კი 3 სახისაა. არაავტომატური (ყველა პროცესი ხელით სრულდება, მაგ., საბჭოური მანქანა ვკ-1), ნახევრად ავტომატური (აქვს ამძრავი, ავტომატურად ასრულებს მხოლოდ ერთ მოქმედებას — გაყოფას; საბჭოური მანქანები: ვკ-2, კსმ-1, კსმ-2, კივ-2-ს და სხვ., გდრ-ის „ზოემტრონ-210" და ა. შ.), ავტომატური (ხელით იკრიბება მხოლოდ საწყისი მონაცემები; საბჭოური ვკ-3, ვმმ-3, გდრ-ის „ზოემტრონ-215" და სხვ.).

ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ინტეგრალურ სქემებზე აგებული მცირეგაბარიტიანი კ. გ. მ-ები. ამ ტიპის მანქანაა, მაგ., 8-თანრიგიანი „ელექტრონიკა ბზ-18", რ-იც ასრულებს ოთხ არითმ. მოქმედებას, ხსნის ნატურალურ და ათობით ლოგარითმებს, ტრიგონომ. ფუნქციებს, იღებს ფესვებს ნებისმიერი ნამდვილი რიცხვებიდან და სხვ. *მ. ლოლობერიძე.*

კლავიშიანი მუსიკალური საკრავები, საკრავები, რ-ებიც ბგერას გამოსცემენ გარკვეული თანმიმდევრობით განლაგებულ კლავიშთა (კლავიატურის) მეშვეობით. კ. მ. ს-ს განეკუთვნება: კლავიშიან-დასარტყმელი (ძველებური კლავიკორდი, თანამედროვე ფორტეპიანო) და კლავიშიან-საბრწკენი (ძვ. კლავესინი და მისი ნაირსახეობანი) სიმებიანი საკრავები; პნევმატური კლავიშებიანი სასულე საკრავები (ორგანი და მისი ნაირსახეობანი), პნევმატური კლავიშიანი ენაკიანი საკრავები (ფისიგარმონია, ბაიანი, აკორდეონი), დასარტყმელ-კლავიშიანი ფირფიტოვანი საკრავები (ზარები, ჩელესტა).

კლავიცეპსტოქსიკოზი, ბ ა ნ დ ა ლ ა, კენტჩლიქოსნების, ცხვრის, ძროხის, ნაწილობრივ ღორის მოწამელა სოკოს — claviceps paspali-ს სკლეროციუმებით დაზიანებული საკვებით. დაავადებისათვის უმთავრესად დამახასიათებელია ცენტრ. ნერვული სისტემის მოშლა. სოკო პირველად აღწერეს ამერიკაში. დაავადება სსრკ-ში გვხვდება კავკ. შავი ზღვის სანაპიროებზე, ამიერკავკასიაში. ჩნდება საძოვრებზე, აგრეთვე ცხოველთა ბაგური შენახვისას. ძირითადი სიმპტომებია: მოძრაობის საერთო მოშლა, თავის ქნევა, კუნთების კანკალი, ატაქსია, კრუნჩხვა, დამბლა. ცხოველი კვდება მე-5—მე-6 დღეს, სიკვდილიანობა 26—75% აღწევს. სსრკ-ში კ-ის სოკო პირველად (1942) აღწერა ლ. *ყანჩაველმა.* მკურნალობა სიმპტომურია.
პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: საკვები მარცვლოვანი მცენარეების დროულად გათიბვა.
კ. კაპანაძე.

კლავიხო (Clavijo) რიუი გონსალეს დე (1412), კასტილიელი აზნაური. მონაწილეობდა კასტილიის მე-2 საპასუხო ელჩობაში თემურლენგთან 1403—06. სამარყანდიდან ელჩობა ანის, ყარსის და საქართველოს ოლქების გავლით ჩავიდა ტრაპიზონში და ზღვით გააგრძელა გზა. მიუხედავად იმისა, რომ კ-მ კავკასიაში მხოლოდ 2—3 კვირა დაყო და მთლიანად არ გასცნობია მას, მაინც შეძლო თანამედროვე მკვლევარისათვის საინტერესო ცნობებისა და ძვირფასი საორიენტაციო მასალის შეკრება.

ლიტ.: П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

კლიბერნი, კ ლ ი ბ ე რ ნ ი (Cliburn) ჰარვი ლავან (შემოკლ. ვან) (დ. 12. VII. 1934, შრიფპორტი, ლუიზიანის შტ.), ამერიკელი პიანისტი. 1954 ნიუ-იორკში დაამთავრა ჯულიარდის მუს. სკოლა (რ. ლევინას კლასი). ნიუ-იორკის ე. ლევენტრიტის სახ. (1954) და პ. ჩაიკოვსკის სახ. მოსკ. საერთაშ. კონკურსის (1958, I პრემია) ლაურეატი. არაერთხელ იყო საგასტროლოდ სსრკ-ში (თბილისში 1960). კ-ის საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩევა უშუალობით, გულწრფელობით, ლირიზმით და ამავე დროს დიდი შინაგანი ენერგიითა და ვირტუოზულობით. მისი რეპერტუარიდან აღსანიშნავია ს. რახმანინოვის მე-3, პ. ჩაიკოვსკის 1-ლი, ს. პროკოფიევის მე-3, ბრამსის მე-2 კონცერტები; ფ. ლისტის მე-12 რაფსოდია; ლ. ბეთჰოვენის, ს. პროკოფიევის, ფ. ლისტის სონატები; ა. სკრიაბინის ადრინდ. თხზულებანი. 1959-იდან ტარდება პიანისტთა კ-ის სახ. საერთაშ. კონკურსები ფორტ-უერთში (აშშ).

კლაიდესდალური ცხენი, ტვირთმზიდი ცხენის ჯიში. გამოყვანილია XIX ს. დასაწყისში შოტლანდიაში. ულაყის ცოცხალი მასაა 900—1000 *კგ.* ფერად ქურანა ან წაბლაა. რუსეთში შემოიყვანეს XIX ს-ში. სსრკ-ში მას იყენებდნენ ვლადიმირის, ივანოვის, ულიანოვსკის, ტამბოვის ოლქებში ადგილ. შესაბმელი ცხენების გასაუმჯობესებლად. კ. G-ის მოშენებას მისდევენ ინგლისში, აშშ-ში, კანადაში, იტალიაში, სამხრ. ამერიკასა და ავსტრალიაში.

კლაიდსაიდი (Clydeside), კონურბაცია დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიაში, მდ. კლაიდის ქვემო დინებაში. 1732,9 ათ. მკხ. (1970). მთავარი ქალაქი — გლაზგო. კ-ში შედის ქ-ები: პეისლი, რენფრუ, კლაიდბენკი, დამბარტონი, პორტ-გლაზგო, გრინოკი და სხვ. კ. მნიშვნელოვანი ინდუსტრ. რ-ნია. განვითარებულია მანქანათსაშ. (უმთავრესად გემთსაშენი), მეტალ., ქიმ. მრეწველობა. დიდი სანავსადგურო მეურნეობა.

კლაიზენი (Claisen) ლუდვიგ (14. I. 1851, კელნი, — 5. I. 1930, ბად-გოდესბერგი), გერმანელი ქიმიკოსი. კილისა (1897) და ბერლინის (1904) უნ-ტების პროფესორი. განახორციელა რიგი ორგ. სინთეზებისა, მაგ., იზატინის სინთეზი. 1887 აღმოაჩინა კონდენსაციის რეაქცია, (რ-საც მისი სახელი ეწოდა), 1912 კი — კ ლ ა ი ზ ე ნ ი ს გ ა დ ა ჯ გ უ ფ ე ბ ა (ფენოლების ალილური ეთერების გადაჯგუფება შესაბამის ალილჩანაცვლებულ ფენოლებად).

კლაინი (Klein) ფელიქს (25. IV.1849, დიუსელდორფი,—22. VI. 1925, გეტინგენი), გერმანელი მათემატიკოსი, გერმ. მეცნ. აკად. წ.-კორ. ბერლინში (1913). ბონის უნ-ტის ფილოს. დოქტორი (1868). 1872-იდან მათ. პროფესორი ერლანგენში, 1875-იდან—მიუნხენის უმაღლეს ტექ. სკოლაში, ხოლო 1880-იდან—ლაიფციგის უნ-ტში. კ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება არაევკლიდური გეომეტრიის, აგრეთვე უწყვეტ ჯგუფთა, ალგებრულ განტოლებათა, ელიფსურ ფუნქციათა და ავტომორფულ ფუნქციათა თეორიების საკითხებს. თავისი გეომ. იდეები კ-მა გადმოსცა ნაშრომში „ახალი გეომეტრიული გამოკვლევების შედარებითი განხილვა" (1872, ცნობილია „ერლანგენის პროგრამის" სახელწოდებით). კ. მიზნად ისახავდა გაეხსნა შინაგანი კავშირი, ერთი მხრით, მათ. სხვადასხვა დარგებს შორის, ხოლო, მეორე მხრით, მათემატიკისა- ფიზიკასა და ტექნიკასთან. კ-მა დიდი წვლილი შეიტანა „მათემატიკურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის" („Enzyklopädie der mathematischen Wissenschaften") შექმნის საქმეში. 40 წლის განმავლობაში (1876-იდან) იყო ჟურნ. „Mathematische Annalen"-ის მთავარი რედაქტორი.

თხზ.: Gesammelte mathematische Abhandlungen, Bd. 1—3, B., 1921—23; Высшая геометрия, М.—Л.,1939; Элементарная математика с точки зрения высшей, т. 1, 3 изд., т. 2, 2 изд., М.—Л., 1934—35.

კლაინის ზედაპირი, კ ლ ა ი ნ ი ს ბ ო თ ლ ი, ჩაკეტილი ცალგვერდა ზედაპირი, რ-იც განიხილა ფ. *კლაინმა* (1874). კ. ზ. შეიძლება მივიღოთ ორივე მხრიდან გახსნილი მილისაგან (ნახ. ა), თუ მას მოვღუნავთ და მილის უფრო წვრილ ბოლოს გავატარებთ კედელში, შემდეგ კი „შევაწებებთ" ორივე სასაზღვრო წრეწირს ისე, რომ გარე, უფრო ფართო წრეწირს მოვჭიმავთ შიგნით, ხოლო შიგა, უფრო წვრილ წრეწირს — გარეთ. ამრიგად, მიიღება ზედაპირი (იხ. ნახ. ბ), რ-საც თვითგადაკვეთის წირი აქვს. კ. ზ. თვითგადაკვეთის გარეშე მიიღება მხოლოდ ოთხგანზომილებიან სივრცეში.



ფ. კლაინი.

კლაინის ზედაპირი.

კლაიპედა (ყოფ. მ ე მ ე ლ ი), ქალაქი ლიტვ. სსრ-ში. დიდი გაუყინარი ნავსადგური ბალტიის ზღვის ნაპირზე, მდ. დანეს შესართავთან. რკინიგზის სადგ., საავტ. გზების კვანძი. 176 ათ. მცხ. (1979).

კ. ლიტვის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. როგორც ბალტების დაბა, ცნობილია ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან. 1252 გერმ. ორდენის რაინდებმა, რ-ებიც ლიტვაში შეიჭრნენ, აქ ააგეს ციხე-კოშკი, შემდეგ კი ქალაქი დააარსეს და მემელი უწოდეს. 1525-იდან კ. განეკუთვნებოდა პრუსიის სამთავროს, 1629—35 — შვეციას, 1701-იდან — პრუსიის სამეფოს. შვიდწლიანი ომის დროს, 1757, ქალაქი ხელთ იგდეს რუს. ჯარებმა, 1762 დაუბრუნეს პრუსიის სამეფოს. 1871-იდან გერმ. იმპერიის შემადგენლობაშია. ვერსალის საზავო ხელშეკრულებით (1919) იგი 1920 დაექვემდებარა ანტანტის გამგებლობას. 1923 დაუბრუნეს ლიტვას. 1939 წ. 22 მარტს დაიკავეს გერმ. ფაშისტთა ჯარებმა. 1945 წ. 28 იანვ. გაათავისუფლა საბჭ. არმიამ. დიდი სამამულო ომის დროს (1941—45) ქალაქი განადგურდა. ომის შემდეგ კ-ის მრეწვ. აღდგა და ძირეულად გარდაიქმნა. მრეწვ. მთავარი დარგებია: თევზის, გემთსარემონტო, გემთსაშენი, მსუბუქი, კვების, ხის დასამუშავებელი. კ. ცნობილია ქარვის წარმოებით. მდ. დანე ქალაქს ძვ. და ახ. ნაწილებად ყოფს. შემორჩენილია ციხე-დარბაზის ნაშთი (XVII—XVIII სს.), ქვის საწყობების კვარტლები (უძველესი — XVIII ს.), მაგისტრატის (დაიწყო 1770) და თეატრის (დაიწყო 1875) შენობები. ომის შემდგომ წლებში განაშენიანება გენ. გეგმის მიხედვით (1962, არქიტ. ვ. რევზინი, პ. იანულისი) მიმდინარეობს, შეიქმნა მწვანე ზონა, საბჭოს მოედანი კულტ. სახლით (1963, არქიტ. ა. მიკენასი), საცხოვრ. და სამრეწვ. მასივები.

კ-ში არის კაუნასის პოლიტექ. ინ-ტის საღამოს ფაკ-ტი, 6 სამ. სპეც. სასწავლებელი. დრამ. თეატრი, სახ. ფილარმონია, სახ. ოპერის თეატრი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კლაისტი (Kleist) ევალდ (8. VIII. 1881, ლანის ბრაუნფელსი, — X. 1954), გერმანელი ფაშისტი გენ.-ფელდმარშალი (1943). I მსოფლიო ომის (1914—18) მონაწილე. პოლონეთზე (1939) და საფრანგეთზე (1940) ფაშისტური გერმ. თავდასხმის დროს იყო სატანკო კორპუსის მეთაური. 1940 ნოემბ. სარდლობდა 1-ელ სატანკო ჯგუფს, რ-იც ფაშისტური აგრესიის დროს 1941 მოქმედებდა იუგოსლავიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ და 1941—42 — სსრკ-ის წინააღმდეგ. 1942 ნოემბ. — 1944 მარტში იყო „ა" არმიათა ჯგუფის სარდალი ჩრდ. კავკასიასა და სამხრ. უკრაინაში. დამარცხებისა და ჰიტლერის სტრატეგიის მიმართ უნდობლობის გამო 1944 დაითხოვეს. ომის შემდეგ გაასამართლეს როგორც სამხ. დამნაშავე. გარდაიცვალა პატიმრობაში.

კლაისტი (Kleist) ჰაინრიხ ფონ (18. X. 1777, ოდერის ფრანკფურტი, — 21. XI. 1811, ვანზეე, პოტსდამის ახლოს), გერმანელი მწერალი. კანტის ფილოს. დიდი გავლენა განიცადა. დრეზდენში დაუახლოვდა რომანტიკოსთა ჯგუფს. ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

კ-ის შემოქმედება იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ერთნი მას კლასიცისტად აცხადებდნენ, მეორენი — რეალისტად, ხშირად მოდერნიზმის წინამორბედადაც მიიჩნევდნენ, მაგრამ უმრავლესობა რომანტიკოსად აღიარებს. შემოქმედების პირველი პერიოდიდან აღსანიშნავია დრამა „შროფენშტაინების ოჯახი" (გამოქვეყნდა 1803), რ-მაც საფუძველი მოუმზადა გერმ. გვიანდ. რომანტიკოსთა „ბედისწერის დრამას". ბედისწერის თემამ დასრულებული სახე მიიღო ტრაგედიაში „რობერტ გუისკარი". „გატეხილი დოქი" (1808, გამოც. 1811) ერთადერთი პიესა იყო, რ-იც მის სიცოცხლეში დაიდგა (გოეთემ გადაამუშავა და დადგა ვაიმარის თეატრის სცენაზე). რომანტ. დრამის შექმნის ცდა იყო ტრაგედია „პენთესილეა" (1808), რ-შიც კ. კვლავ ანტ. მოტივებს იყენებს. აღსანიშნავია კ-ის დრამები „ჰაილბრონნელი კეთხენი" (1808), „ჰერმანის ბრძოლა" (1808), „ჰომბურგელი უფლისწული" (1810, გამოც. 1821), კომედია „ამფიტრიონი" (მოლიერის მიხედვით, 1807) და სხვ. კ-ის პოეტიკის რომანტ. ხასიათი მკვეთრად გამოჩნდა ნოველებში „მიხაელ კოლჰაასი" (1810), „მიწისძვრა ჩილეში", „მარკიზა ფონ ო..." „ნიშნობა სან-დომინგოზე" და სხვ. კ. მიჩნეულია გერმ. ნოველის ერთ-ერთ ფუძემდებლად; დიდი როლი შეასრულა XIX—XX სს. გერმ. პროზის განვითარებაში. გერმ. პატრ. პუბლიცისტიკის საუკეთესო ნიმუშადაა აღიარებული კ-ის „გერმანელთა კატეხიზმო" (1809).

თხზ.: Werke, Bd. 1—2, Weimar, 1961; Пьесы, М., 1962; Драмы. Новеллы, М., 1969.

ლიტ.: ხ ა ვ თ ა ს ი გ., ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1965; Б е р к о в с к и й Н. Я., Клейст, წგბ.: Немецкая романтическая повесть, т. 2, М.—Л., 1935.

გ. ჩავლეიშვილი.



კლაიდესდალური ცხენი.

კლაკა (ფრანგ. Claque) მოსყიდულ მაყურებელთა — კლაკერების ჯგუფი, რ-საც ქირაობს ანტრეპრენიორი სპექტაკლის (მსახიობის) მარცხის ან წარმატების ხელოვნური შთაბეჭდილების შესაქმნელად. კ-ს ხშირად იყენებენ კაპიტალ. ქვეყნებში, განსაკუთრებით საოპერო თეატრებში.

კლანგი, კ ე ლ ა ნ გ ი (Klang, Kelang), ქალაქი და ნავსადგური დას. მალაიზიაში, სელანგორის შტატში. 113,3 ათ. მცხ. (1970). სწრაფმზარდი სამრეწვ. ცენტრი. კაუჩუკისა და სხვა სას.-სამ. ნედლეულის პირველადი გადამუშავება, ლითონდასამუშ., ელექტროტექ., კვების მრეწვ. საწარმოები.

კლანი (გელური clann — შთამომავალი, შთამომავლობა), 1. კელტურ ხალხებთან, უმთავრესად ირლანდიელებთან, შოტლანდიელებთან და ვალიელებთან (უელსელები) გვარის (უფრო იშვითად ტომის) სახელწოდება; გვაროვნ. წყობილების რღვევის პირობებში—სისხლით ნათესავთა ჯგუფები, ერთი ძვ. გვარის შთამომავალნი, რ-ებიც წინაპრის გვარს ატარებენ. მათ სახელს ემატება წინსართი „mac" (ძე) შოტლანდიელებთან და ირლანდიელთან, ან „O'" (შვილიშვილი) ირლანდიელებთან. კ. ინარჩუნებდა საერთო საკუთრებას მიწაზე და იცავდა გვაროვნ. წყობილების სხვა ადათებს (სისხლის აღება, ერთმანეთის თავდებობა, მამასახლისის არჩევა და სხვ.). შოტლანდიის და უელსის ცალკეულ რ-ნებში კლანური ორგანიზაცია XIX ს-მდე არსებობდა. 2. თანამედროვე ეთნოგრ. ლიტ-რაში (გახსაკუთრებით საზღვარგარეთის) ტერმ. კ. შეესატყვისება გვარს.

კლაპეირონი (Clapevron) ბენუა პოლ ემილ (26. I. 1799, პარიზი, — 28. I. 1864, იქვე), ფრანგი ფიზიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1858). დაამთავრა პარიზის პოლიტექ. სკოლა (1818). 1820—30 მუშაობდა პეტერბ. მიმოსვლის გზათა საინჟინრო ინ-ტში. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ იყო პარიზის ხიდებისა და გზების სკოლის პროფესორი. გამოიყვანა იდეალური აირის მდგომარეობის განტ. (იხ. *კლაპეირონის განტოლება*), აგრეთვე დნობისა და დუღილის ტემპ-რების დამოკიდებულება წნევაზე (იხ. *კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლება*).

ლიტ.: И с к о л ь д с к и й И. И., Бенуа Клапейрон, «Успехи химии», 1945, т. 14, в. 4.

კლაპეირონის განტოლება, კ ლ ა პ ე ი რ ო ნ—მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი ს გ ა ნ ტ ო ლ ე ბ ა, დამოკიდებულება იდეალური აირის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფიზიკურ სიდიდეებს — აირის p წნევას, მის V მოცულობასა და T აბსოლ. ტემპ-რას შორის; აღმოაჩინა ბ. *კლაპეირონმა*. კ. ბ. გამოისახება ასე: $pV=BT$, სადაც B პროპორციულობის კოეფიციენტი დამოკიდებულია აირის მასასა და გვარობაზე, რაც განტოლების გარკვეული ნაკლია. დ. *მენდელეევმა* გამოიყენა *ავოგადროს კანონი* და გამოიყვანა მდგომარეობის განტ. 1 *მოლი* იდეალური აირისათვის $pV_\mu=RT$, სადაც R უნივერსალური *აირის მუდმივაა*, რ-იც უკვე ერთნაირია ყველა აირისათვის. ამ განტოლებას

კლარნეტი.

კლაპეირონ-მენდელეევის განტოლებას უწოდებენ. m მასისა და μ *მოლური მასის* მქონე აირისათვის კლაპეირონ-მენდელეევის განტოლება ღებულობს შემდეგ სახეს:

$$pV = \frac{m}{\mu}RT,$$ ანუ $pV=NkT$, სადაც N *არის აირის ნაწილაკთა რიცხვი,* k*—ბოლცმანის მუდმივი.* კ. ბ. აერთიანებს ბოილ-მარიოტის, გეი-ლუსაკისა და შარლის კანონებს.

კლაპეირონ—კლაუზიუსის განტოლება, თერმოდინამიკური განტოლება, რ-იც შეეხება ნივთიერების გადასვლას ერთი ფაზიდან მეორეში (აორთქლება, დნობა, სუბლიმაცია და სხვ.). კ.-კ. ბ-ის თანახმად, ფაზური გადასვლის სითბო (მაგ., აორთქლების სითბო, დნობის სითბო) წონასწორულად მიმდინარე პროცესებში განისაზღვრება გამოსახულებით:

$$L=T\frac{dp}{dT}\left(V_2-V_1\right),$$ სადაც T არის გადასვლის ტემპერატურა (პროცესი იზოთერმულია), dp/dT— გადასვლის მოცემულ ტემპერაზე წნევის წარმოებული ტემპერატურის მიხედვით, ხოლო (V_2-V_1)—ნივთიერების მოცულობის ცვლილება მისი გადასვლისას ერთი ფაზიდან მეორეში. პირველად ეს განტ. მიიღო ბ. *კლაპეირონმა* (1834) კარნოს ციკლის ანალიზის შედეგად სითხესთან სითბურ წონასწორობაში კონდენსირებული ორთქლისათვის; 1850 რ. *კლაუზიუსმა* გაავრცელა იგი სხვა ფაზურ გადასვლებზე.

ლიტ.: Курс физической химии, под ред. Я. И. Герасимова, 2 изд., т. 1, М., 1969.

კლაპიტონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე (დ. 1800, სტამბოლი, — გ. წ. უცნობია), პირველი ქართველი ექიმი, რ-მაც რუსეთში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება; ერეკლე II-ის კარის ექიმის შვილი. 1822 დაამთავრა პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემია და მუშაობა დაიწყო კარის ექიმად იმჟამად რუსეთში მყოფ დედოფალ მარიამთან. 1828-იდან ელიზავეტპოლის (ახლანდ. კიროვაბადი), 1832-იდან კი გორის მაზრის ექიმი იყო; 1836—43 მუშაობდა ბაქოსა და ნუხაში. კ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართ. სამედ. ლიტ-რის განვითარებაში; პეტერბურგში ქართ. ენაზე 3 ნაწილად გამოსცა სამედ. დარიგებანი, რ-იც შემდეგ რუს. ენაზეც გამოიცა; შეადგინა და მოსკოვში ქართ. ენაზე გამოსცა მოკლე კარაბადინი; მასვე ეკუთვნის ვრცელი ანგარიშები ინფექციურ სნეულებათა (შავი ჭირი, ქოლერა და სხვ.) წარმოშობის მიზეზების, გავრცელების გზების, კლინიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის შესახებ.

თხზ.: მოკლე კარაბადინი დარიგებისა თუს ერისა, მისთუს თუ ვითარი ღონის ძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან, მოსკოვი, 1826; მოკლე კარაბადინი დარიგებისა თუს ერისა, მისთუს რაგვარის ღონის ძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ მდინარიდამ გამოღებული კაცი, მოსკოვი, 1826.

მ. შენგელია.

კლაპროთი (Klaproth) ჰაინრიხ იულიუს ფონ (11. X. 1783, ბერლინი, — 28. VIII. 1835, პარიზი), გერმანელი ლინგვისტი ორიენტალისტი. 1807-იდან რუს. მეცნ. აკადემიის ექსტრაორდინარული აკადემიკოსი. 1807—08 მივლინებული იყო კავკასიაში ფილოლ., ეთნოგრ. და ისტ. კვლევისათვის. მისი მოგზაურობა აღწერილია წიგნში („მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში" და სხვ. შრომებში). თბილისში კ. იყო 1808 წ. 13 იანვრიდან ივნ-მდე. ამ ხნის მანძილზე აქედან რამდენჯერმე იმოგზაურა არაგვისა და მტკვრის სათავეებში, მტკვარსა და იორს შორის მდებარე რ-ნებში იყო ლეკების მადევარ ქართვ. ფეოდალებთან ერთად ლიახვის ველზე, აგრეთვე საქართვ. სამხ. გზაზე. თბილისში ქართ. საზ-ბა ყოველნაირად ცდილობდა დახმარებოდა მას მეცნ. კვლევაში. 14 ივნ. კ. გაემგზავრა მოზდოკს, ადგილ. ხელისუფლებისაგან ფარულად მოიარა მცირე და დიდი ყაბარდო და ჩავიდა რაჭაში ონამდე. თავის ნაშრომში იგი აღწერს თბილისს, იძლევა ისტ. ნარკვევს, ექსკურსს საქართვ. მთიელებზე, საქართველოსთან ოსების დამოკიდებულებაზე და სხვ. 1842 გამოსცა ქართ.-ფრანგ. და ფრანგ.-ქართ. ლექსიკონი (4000-მდე სიტყვა). კ-მა დაიწყო ქართ. ენის გრამატიკის ბეჭდვა, რ-იც მისი გარდაცვალების შემდეგ დაამთავრა მ. ბროსემ.

ლიტ.: ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965; მისივე, К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам, «Вопросы языкознания», 1962, № 4; Полиевктов М. А., Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., Тб., 1946.

გ. თოფურია.

კლარელვენი (Klarälven), მდინარე ნორვეგიასა და შვეციაში. სიგრძე დაახლ. 500 *კმ*, აუზის ფართ. 11,8 ათ. *კმ*². ზემოთში გადის რუგენისა და ფემუნის ტბებში. აჩენს ჩანჩქერებს და ჭორომებს. ერთვის ვენერის ტბას. საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა გაზაფხულ-ზაფხულშია. წყლის საშ. ხარჯი შესართავთან 165 *მ*³/*წმ*. ქვემოთში გაბგიფვა 5 თვეს გრძელდება, ზემოთში—7 თვეს. ხე-ტყის დაცურება. სანაოსნოა ქ. მუნკფორსამდე (შვეცია).

კლარენდონი (Clarendon) ედუარდ ჰაიდ (Hyde) (18. II. 1609, დინტონი, უილტშირის საგრაფო, — 9. XII. 1674, რუანი, საფრანგეთი), გრაფი (1661-იდან), ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე. XVII ს. ინგლ. ბურჟ. რევ. პირველი ისტორიკოსი. რევოლუციის დროს იყო როიალისტური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. 1646 ემიგრაციაში წავიდა. სტიუარტების რესტავრაციის შემდეგ — ჩარლზ II-ის ლორდ-კანცლერი. ინგლ. სამხ. წარუმატებლობამ და კ-ის რეაქციულმა საშინაო პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ჩარლზ II იძულებული გახდა 1667 კ. გადაყენებინა. სახელმწიფოს ღალატში ბრალდებული კ. ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. მისი მთავარი შრომა „ამბოხებისა და სამოქალაქო ომების ისტორია ინგლისში" (ტ. 1—3, 1704) წარმოადგენს პამფლეტს ინგლ. რევოლუციასა და მის მოღვაწეებზე.

კლარკი (Clarcke) ფრენკ უიგლსუორთ (19. III. 1847, ბოსტონი, — 23. V. 1931, ვაშინგტონი), ამერიკელი ეიოქიმიკოსი, ხელოვნებათა და მეცნ. აკად. წევრი (1911). დაამთავრა ჰარვარდის უნ-ტი (1867). 1874—83 იყო ცინცინატის უნ-ტის პროფესორი. 1883—1924 — აშშ-ის გეოლ. კომიტეტის მთავარი ქიმიკოსი. კ-ის ძირითადი შრომები მიეძღვნა დედამიწის ქერქისა და სხვადასხვა არაორგ. ბუნებრივი წარმონაქმნის ქიმ. შედგენილობის განსასაზღვრის საკითხს. კ-მა შეიმუშავა დედამიწის ქერქში ქიმ. ელემენტთა საშ. შემცველობის გამოთვლის მეთოდი (იხ. *კლარკი* ელემენტთა).

კლარკი (Clark) ჯონ ბეიტს (26. I. 1847, პროვიდენსი, როდ-აილენდის შტ.,— 21. III. 1938, ნიუ-იორკი), ამერიკელი ეკონომისტი, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი მთავარი დოგმის — *საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის* ფუძემდებელი. 1872 დაამთავრა ამჰერსტის კოლეჯი (აშშ), შემდეგ სწავლობდა ჰაიდელბერგისა (გერმანია) და ციურიხის (შვეიცარია) უნ-ტებში. 1877-იდან პროფესორი ამერ. მთელ რიგ კოლეჯებში. 1895—1923 კოლუმბიის უნ-ტის პროფესორი. 1893—95 ამერ. ეკონ. ასოციაციის პრეზიდენტი. *საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის* კლარკისეული ფორმულირების თანახმად, წარმოების პროცესში შეინიშნება შრომისა და კაპიტალის კლებადი მწარმოებლურობა. აქედან გამომდინარე, კ-მა ჩამოაყალიბა კანონი (კლარკის კანონი), რ-ის მიხედვით, პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება მისი თვისებების საზღვრითი სარგებლიანობის ჯამით. კ-ის აზრით შრომა და კაპიტალი ტოლფასოვანი ფაქტორებია პროდუქტის ღირებულების შექმნაში. ამით აიხსნება კაპიტალისტის მიერ მოგების მიღების სურვილი.

კლარკი ელემენტთა, რიცხვი, რ-იც გამოსახავს ქიმიურ ელემენტთა საშუალო შემცველობას დედამიწის ქერქში, ჰიდროსფეროში, მთელ დედამიწაში, კოსმოსურ სხეულებსა და სხვა გეოქიმიურ თუ კოსმოქიმიურ სისტემებში. არსებობს მასური (%-ებში, *გ/ტ* ან *გ/გ*) და ატომური (%-ებში ატომთა რიცხვიდან) კ. ქიმ. ელემენტთა საშ. შემცველობა დედამიწის ქერქში 16 *კმ* სიღრმემდე პირველად შეისწავლა ამერ. მეცნიერმა ფ. უ. *კლარკმა* (1889). მის მიერ მიღებული სიდიდეები შემდგომ დააზუსტა ა. *ფერსმანმა* და მათ *კლარკის რიცხვები* ანუ *კლარკი* უწოდა. დედამიწის ქერქში ქიმ. ელემენტთა საშ. შემცველობა გამოთვალეს ა. *ეინოგრადოვმა* (1962), გერმ. მეც. კ. ჰ. ვედეპოლმა (1967) (იხ. ცხრ.), აგრეთვე ამერ. მეცნ. ს. რ. ტეილორმა (1964). გარდა ამისა, დაზუსტდა ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, ბიოსფეროს, მეტეორიტებისა და სხვ. კ-ები.

ელემენტთა კ-ების ცოდნა აუცილებელია სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიებისა და მათი სამრეწვ. შეფასების დროს. ელემენტთა მიგრაციის პროცესში კ. მათი კონცენტრაციის რაოდენობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს.

კლარნეტი [გერმ. Klarinette, ფრანგ. clarinette, იტალ. clarinetto < ლათ. clarus — მკაფიო (ბგერა)], მუსიკალური საკრავი. მიეკუთვნება ხის სასულე საკრავთა ოჯახს. წარმოიშვა სალამურისგან. თანამედროვე კ-ს შავი ეკალმუხისგან, აბანოზის ხის ან ებონიტისაგან ამზადებენ. საკრავის ზემო ნაწილში ნისკარტისებური, ირიბად თავფაჭრილი სატუჩა (მუნდშტუკი), რ-ზეც მიმაგრებული ლერწმის თხელი ფირფიტა მთლიანად ხურავს ჰაერის ჩასაბერ ხვრელს. სატუჩეს ეკვრის პატარა კასრი. კ-ის ტანზე მოთავსებულია ყველა სახმო და სათითური. საკრავი თავდება ყელმილით. დიაპაზონია მცირე ოქტავის მი-დან მე-3 ოქტავის სოლ-მდე. კ-ის ნაირსახეობებია: ალტის ანუ ტენორის კ. (ბასეტჰორნი), ბას-კ., კონტრაბას კ.

კლარსი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნში (გერის სოფსაბჭო), გუდისის ქედის ჩრდ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1400 *მ*, ცხინვალიდან 25 *კმ*. ვანათის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. გერში (2 *კმ*).

„კლარტე" (ფრანგ. clarté — სიცხადე, სინათლე), მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა და კულტურულ მოღვაწეთა საერთაშ. ანტიიმპერიალისტური გაერთიანება. შექმნა ა. ბარბიუსმა 1919; მავე გამოაქვეყნა მანიფესტი: «სინათლე უფსკრულში. რა სურს „კლარტეს" ჯგუფს» (1920). ჯგუფში გაერთიანდნენ ა. ბარბიუსი, ა. ფრანსი, პ. ვაიან-კუტიურიე, რ. ლეფეკერი, ჰ. უელსი, ტ. ჰარდი, ბ. შოუ, ბ. რასელი, ვ. ბლასკო იბანიესი, გ. ბრანდესი, ე. სინკლერი და სხვ. მათ მიემხრნენ შ. ცვაიგი, ჰ. მანი, ნ. ჰიქმეთი და სხვ. ჯგუფი გამოსცემდა ჯერ გაზ. „კლარტეს", შემდეგ ამავე სახელწ. ჟურნალს (1921—28), სადაც იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის, ა. ლუნაჩარსკის, მ. გორკის თხზულებები. შემდგომ ჯგუფში უთანხმოებამ იჩინა თავი. 1924 ა. ბარბიუსმა დატოვა გაერთიანება; ჯგუფმა დაკარგა თავისი პროგრ. მნიშვნელობა და 1928 დაიშალა.

კლარჯეთი, მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). კ-ში შედიოდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის და სხვ. ხევები (საკუთრივ კ-იც თავდაპირველად ერთ-ერთი ხევი იყო). სახელწოდება კ. ჰოდის დაბა











ეზმი. ზემოთ — ხ. კ უ ა ე ი ი. „ტახკოელი და ერძიხია". 1630 იახი ₶₶. ერძიჭაჟი. ლეხიხოა-
— კ. ბ რ ი ულ ო ვ ი. „პომპეის უკანასკნელი დღე". 1830 -33. რუ ული მუზეუმი. ლენინგრადი.



კლარჯეთიდან. კ-ის უძველესი ცენტრია ციხე *თუხარისი*. კ-ს განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, რ-ის რეზიდენცია V ს. II ნახევრიდან არტანუჯის ციხე უნდა ყოფილიყო. მეფე ვახტანგ გორგასალმა (V ს.) აქ ფართო კულტ-აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო: ააშენა ეკლესია-მონასტრები, დააარსა ახ. საეპისკოპოსო (ცენტრი ახიზაში). კ. ამავე დროს გახდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი. VIII ს-ში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტია. IX ს. დასაწყისში მეფე *აშოტ I-მა* დიდმა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული მხარე აღადგინა და დაასახლა. ამავე დროს აქ დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა *გრიგოლ ხანძთელის* თაოსნობით. XI—XIII სს-ში კ-ში ფართოდ გაშალა კულტ.-საგანმან. საქმიანობა. იგი განთქმული იყო ეკლესია-მონასტრებით, რ-თაც კლარჯეთის თორმეტ უდაბნოს უწოდებდნენ. XVI ს-ში კ. საქართვ. სხვა ტერიტ. ნაწილთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1955—59.

დ. მუსხელიშვილი.

„კლარჯნი ხელმწიფენი“, „კ ლ ა რ ჯ ნ ი მ ე ფ ე ნ ი“, ასე იწოდებოდნენ კლარჯეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები სუმბატ არტანუჯელი და გურგენი, ბაგრატ II არტანუჯელის ძენი ბაგრატიონთა მემატიანე სუმბატ დავითის ძის მიხედვით. გაერთ. საქართვ. პირველმა მეფემ ბაგრატ III-მ სუმბატი და გურგენი, რ-ებიც მისი მამიდაშვილები იყვნენ, დარბაზობაზე მოიწვია ფანასკერტის ციხეში, შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც ისინი 1012 გარდაიცვალნენ. მათ სამფლობელოს ბაგრატი დაეპატრონა. სუმბატის ძე ბაგრატი და გურგენის ძე დემეტრე კონსტანტინოპოლში გაიქცნენ ბასილი II ბიზანტიის კეისართან, რომ მისი დახმარებით მამაპაპისეული ქვეყანა დაებრუნებინათ, მაგრამ უშედეგოდ. მათი მემკვიდრეები კი, რ-ებმაც გაქცევა ვერ მოასწრეს, პატიმრობაში დაიხოცნენ. ასე ამოწყდა არტანუჯელი ბაგრატიონების ანუ „კ. ხ-თა“ საგვარეულო.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. *ა. ბოგვერაძე.*

კლარჯული, ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში. გავრცელებულია დას. საქართვ. შავიზღვისპირა ზოლში (გურიისა და აჭარის რ-ნებში). ვაზი ინტენსიურად იზრდება, უხვმოსავლიანია. ყურძენს (მწიფს ოქტ-ში) აქვს მაღალი საგემოვნო თვისებები, მტევანი ცილინდრულ-კონუსური ფორმისაა, მარცვალი მომწვანო-მოყვითალო, კარგად ინახება, ტრანსპორტაბელურია. საქართველოში გავრცელებულ აბორიგენულ ჯიშთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო სასუფრე ყურძნის ჯიშია.

რ. რამიშვილი.

კლარჯული.

კლასები საზოგადოებრივი „ადამიანთა დიდი ჯგუფები, რომლებიც განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი (მეტწილად კანონებში განმტკიცებული და გაფორმებული) დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ ნაწილის მიღების წესითა და სიდიდით, რომელიც მათ ხელთ აქვთ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილის განსხვავების მეოხებით“ (ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 491). კ-ის არსებობის ფაქტი მარქსამდელმა მოაზროვნეებმა აღმოაჩინეს. კ. მარქსი წერს: „რაც შემეხება მე, არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის, რაც მე ახალი გავაკეთე, იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, რომ 1) კლასთა არსებობა მხოლოდ წარმოების განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ ფაზებთანაა დაკავშირებული; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყევართ პროლეტარიატის დიქტატურამდე; 3) რომ თვით ეს დიქტატურა მხოლოდ ყველა კლასთა მოსპობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ გადასვლას წარმოადგენს“ (კ. მარქსი — ი. ვაიდემაიერს, 5. III. 1852, მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩ. ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964).

როგორც ცნობილია, კლასობრივ საზ-ბას წინ უძღოდა პირველყოფილი თემური წყობილება. იმ დროს არ იყო კ., არ არსებობდა კერძო საკუთრება. ადამიანები ერთად მუშაობდნენ, თანასწორად ინაწილებდნენ შრომის პროდუქტებს, ავითარებდნენ წარმოების იარაღებს. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ კ-ის წარმოშობა განაპირობა შრომის დიდმა საზ. დანაწილებამ (ჯერ მეჯოგეობის, შემდეგ ხელოსნობის გამოყოფამ მიწათმოქმედებისაგან), რასაც შედეგად მოჰყვა გაცვლა-გამოცვლის განვითარება; საზ. სიმდიდრემ თავი მოიყარა ცალკეულ პირთა ხელში. კერძოდ, მას დაეპატრონენ თემური საზ-ბის ხელმძღვანელები (უხუცესები, ქურუმები და სხვ.) და მათი ოჯახის წევრები. მათგან შედგა გაბატონებული კლასი, სხვები კი იქცნენ დაქვემდებრებულებად, რ-საც შემდგომში მიემატნენ სამხ. ტყვეებიც.

მონები და მონათმფლობელები პირველი ანტაგონისტური კ-ა ისტორიაში. ფეოდალიზმის დროს ისინი შეცვალეს ყმა გლეხებმა და ფეოდალებმა, ხოლო კაპიტალიზმის დროს პროლეტარიატმა და ბურჟუაზიამ. ანტაგონისტურია კ., რ-ებიც უპირისპირდებიან და ებრძვიან ერთმანეთს,

ატომური ნომერი	ელემენტი	ა. ვინოგრადოვის მიხედვით (1962)	კ. პ. ვედეპოლის მიხედვით (1967)	ატომური ნომერი	ელემენტი	ა. ვინოგრადოვის მიხედვით (1962)	კ. პ. ვედეპოლის მიხედვით (1967)	ატომური ნომერი	ელემენტი	ა. ვინოგრადოვის მიხედვით (1962)	კ. პ. ვედეპოლის მიხედვით (1967)
1	H		700	32	Ge	1,4	1,3	63	Eu	1,3	1,4
2	He		(0,003)	33	As	1,7	1,7	64	Gd	8	8,8
3	Li	32	30	34	Se	0,05	0,09	65	Tb	1,9	1,4
4	Be	3,8	2	35	Br	2,1	2,9	66	Dy	5	6,1
5	B	12	9	36	Kr			67	Ho	1,7	1,8
6	C	200	320	37	Rb	150	120	68	Er	3,3	3,4
7	N	19	20	38	Sr	340	290	69	Tm	0,27	
8	O	470000	472500	39	Y	29	34	70	Yb	3,3	3,4
9	F	660	720	40	Zr	170	160	71	Lu	0,8	1,1
10	Ne			41	Nb	20	20	72	Hf	1	3
11	Na	25000	24500	42	Mo	1,1	1	73	Ta	2,5	3,4
12	Mg	18700	13900	43	Tc			74	W	1,3	1,3
13	Al	80500	78300	44	Ru		(0,001)	75	Re	0,0007	(0,001)
14	Si	295000	305400	45	Rh		(0,001)	76	Os		(0,001)
15	P	930	810	46	Pd	0,013	0,01	77	Ir		(0,001)
16	S	370	310	47	Ag	0,07	0,06	78	Pt		(0,005)
17	Cl	170	320	48	Cd	0,13		79	Au	0,0043	0,004
18	Ar		(0,04)	49	In	0,25	0,07	80	Hg	0,083	0,08
19	K	25000	28200	50	Sn	2,5	3	81	Tl	1	1,3
20	Ca	33000	28700	51	Sb	0,5		82	Pb	16	15
21	Sc	10	14	52	Te	0,001	(0,002)	83	Bi	0,009	0,2
22	Ti	4500	4700	53	I	0,4		84	Po		
23	V	90	95	54	Xe			85	At		
24	Cr	83	70	55	Cs	3,7	2,7	86	Rn		
25	Mn	1000	690	56	Ba	650	590	87	Fr		
26	Fe	46500	35400	57	La	49	44	88	Ra		
27	Co	18	12	58	Ce	70	75	89	Ac		
28	Ni	58	44	59	Pr	9	7,6	90	Th	13	11
29	Cu	47	30	60	Nd	37	30	91	Pa		
30	Zn	83	60	61	Pm			92	U	2,5	3,5
31	Ga	19	17	62	Sm	8	8,6				

რ-თა ინტერესების შერიგება შეუძლებელია, არაანტაგონისტური ჯ-ის (მაგ., პროლეტარიატისა და გლეხობის) ძირითადი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა შეიძლება მ. შ. ნაწილობრივ წინააღმდეგობაც იყოს. ანტაგონისტური ჯ-ის არსებობას განაპირობებს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და ისინი მოისპობიან მასთან ერთად.

მოცემულ საზ-ბაში ძირითადია ჯ., რ-ის არსებობა აუცილებლობითაა დაკავშირებული ამა თუ იმ ეპოქაში გაბატონებულ წარმოების წესთან. არაძირითადია ჯ., რ-ის არსებობა არ არის აუცილებელი გაბატონებული წარმოების წესისათვის. ეს არის ჯ., რ-იც არსებობს როგორც ძვ. წყობილების გადმონაშთი ან როგორც მომავალი წყობილების ძირითადი ჯ-ის ჩანასახი. მაგ., გლეხობა ძირითადია ფეოდალიზმისათვის, კაპიტალიზმის დროს კი იგი არაძირითადი ჯ. ხდება. ბურჟუაზია და პროლეტარიატი არაძირითადი ჯ-ა ფეოდალიზმის დროს, კაპიტალ. წარმოების წესის გაბატონება კი მათ ძირითად ჯ-ად აქცევს. სსრკ-ში სოციალიზმის აშენების შედეგად არსებითად შეიცვალა საბჭ. საზ-ბის კლასობრივ-სოც. სტრუქტურა, მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, წარმოების საშუალებებზე დამკვიდრდა სოციალ. საკუთრება. მწვავე კლასობრივი ბრძოლის გზით მუშათა ჯ-მა მშრომელ გლეხობასთან ერთად კომპარტიის ხელმძღვანელობით შეძლო ყველა ექსპლუატატორული ჯ-ის ლიკვიდაცია, მოისპო მემამულეთა ჯ., ბურჟუაზია, კულაკობა. საბჭ. საზ-ბის შემადგენლობაში დარჩა მუშათა ჯ., გლეხობა და ინტელიგენცია.

საბჭ. საზ-ბის სოც. სტრუქტურის მთავარი ელემენტია მუშათა ჯ., რ-ის როლისა და კულტურის ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ამჟამად ყოველი ათასი მუშიდან 550-ზე მეტს აქვს უმაღლესი და საშ. განათლება. ბევრი მუშა დაუფლებულია რამდენიმე პროფესიას, მეცნ. და კულტ. თანამედროვე მიღწევებს. იზრდება მუშათა ჯ-ის აქტივობა და ინიციატივა, განუსაზღვრელია მისი გავლენა საბჭ. საზ-ბის ცხოვრების ყველა სფეროზე.

საბჭ. საზ-ბის სოც. სტრუქტურის მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტია კოლმეურნე გლეხობა. ძირითადად შეცვლილია მისი მდგომარეობაც. იგი, კომუნისტური საზ-ბის აქტ. მშენებელი, შეიარაღებულია ახ. სას.-სამ. ტექნიკით, გაერთიანებულია კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებში. მისი შრომა თანდათან უახლოვდება ინდუსტრ. შრომას, გლეხობა ეუფლება მოწინავე ტექნიკას, ზრდის შრომისნაყოფიერებას, ქმნის ყოფა-ცხოვრებისა და სულიერი მოღვაწეობის უკეთეს პირობებს.

მუშათა ჯ-სა და გლეხობას შორის მტკიცე კავშირი და მეგობრობა არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთი მდგომარეობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ ჯ-ს შორის განსხვავების ეკონ. საფუძველია საკუთრების ორი ფორმის — (საერთო-სახ. და საკოლმ.-ჯგუფური) არსებობა.

კომუნიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნის, საწარმოო ძალების განვითარების, საერთო-სახ. საკუთრების დონემდე საკოლმ.-ჯგუფური საკუთრების ამაღლების საფუძველზე და მთელი მოსახლ. ცხოვრების დონისა და კულტ. ამაღლების შედეგად თანდათანობით წაიშლება განსხვავება მუშათა ჯ-სა და გლეხობას შორის.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., დიადი თაოსნობა, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29; მ ი ს ი ვ ე, სახელმწიფო და რევოლუცია, იქვე, ტ. 25; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971; ისტორიული მატერიალიზმი, თბ., 1971; ა ს ა თ ი ა ნ ი გ., საბჭოთა საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, თბ., 1973; კ ა რ ტ ო ზ ი ა ბ., კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა, თბ., 1969.

ბ. კარტოზია.

კლასთა ბრძოლა, ბრძოლა კლასებს შორის, რ-თა ინტერესები შეუთავსებელია ან ეწინააღმდეგება ერთიმეორეს. ანტაგონისტურ საზოგადოებათა ისტორიის მამამძრავებელი ძალა. დღემდე არსებული ყველა საზ-ბის ისტორია (გარდა პირველყოფილი თემური საზ-ბის ისტორიისა) იყო ჯ. ბ-ის ისტორია. მონათმფლობელურ წყობილებაში ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი კლასები იყვნენ მონები და მონათმფლობელები, ფეოდალიზმის დროს — ყმა გლეხები და ფეოდალები, კაპიტალიზმის დროს — პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ბრძოლა ამ კლასებს შორის იყო ახ. საწარმოო ძალებსა და ძვ. წარმოებით ურთიერთობებს შორის არსებული კონფლიქტის გამოხატულება. ცნობილია მონათა და გლეხთა რევ. მრავალი ფაქტი. არც ერთი მათგანი მშრომელი კლასების გამარჯვებით არ დამთავრებულა.

ისტორიაში ყველაზე რევ. კლასია პროლეტარიატი. მარქსიზმის კლასიკოსებმა დასაბუთეს, რომ მხოლოდ მას შეუძლია თავისუფლების მოპოვება, მისი მსოფლიოისტ. მისიაა კაპიტალიზმის დამხობა და მთელი საზ-ბის განთავისუფლება ექსპლუატაციისა და მონობისაგან. „ყველა იმ კლასიდან, რომელიც ამჟამად ბურჟუაზიას უპირისპირდება, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. დანარჩენი კლასები უძლურდებიან და ისპობიან მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია“ (მ ა რ ქ ს ი კ. და ე ნ გ ე ლ ს ი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1968, გვ. 67).

არსებობს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის 3 ძირითადი ფორმა: ეკონ., პოლიტ. და იდეოლოგიური. ეკონ. ბრძოლა ისტორიულად პროლეტარიატის ჯ. ბ-ის პირველი ფორმაა. მისი ამოცანაა მუშების ეკონ. მდგომარეობის გაუმჯობესება, კერძოდ, სამუშაო დროის შემცირება, ხელფასის გადიდება და სხვ.

პროლეტარიატის ჯ. ბ-ის უმაღლესი ფორმაა პოლიტ. ბრძოლა. პოლიტ. ბრძოლის ამოცანაა კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის დამყარება. ჯ. ბ., ვ. ი. ლენინის აზრით, „მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილი, თანმიმდევარი, განვითარებული, როცა იგი პოლიტიკის სფეროს მოიცავს, პოლიტიკაშიც შეიძლება დავჯერდეთ წვრილმანებს, შეიძლება უფრო ღრმადაც წავიდეთ, თვით ძირითადამდე. მარქსიზმი კლასობრივ ბრძოლას მხოლოდ მაშინ აღიარებს სავსებით განვითარებულად, „საერთონაციონალურად“, როდესაც იგი არათუ მოიცავს პოლიტიკას, არამედ პოლიტიკაშიც ირჩევს ყველაზე არსებითს: სახელმწიფო ხელისუფლების წყობას“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 19, გვ. 125—126). ამით განსხვავდება ჯ. ბ-ის მარქსისტული გაგება ლიბერალურისაგან. ვ. ი. ლენინი თავის კლასიკურ შრომაში „სახელმწიფო და რევოლუცია“ წერს: „ვინც მხოლოდ კლასების ბრძოლას აღიარებს, ის ჯერ კიდევ არ არის მარქსისტი, ის შეიძლება ჯერ კიდევ არ სცილდებოდეს ბურჟუაზიული აზროვნებისა და ბურჟუაზიული პოლიტიკის ფარგლებს. მარქსიზმის შემოფარგლა კლასების ბრძოლის მოძღვრებით იმას ნიშნავს, რომ შეკვეცო მარქსიზმი, დაამახინჯო იგი, აქციო იმად, რაც მისაღებია ბურჟუაზიისათვის. მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განავრცობს. ეს არის მარქსისტის ყველაზე ღრმა განსხვავება რვეულებრივი წვრილი (და აგრეთვე მსხვილი) ბურჟუაზიისაგან“ (იქვე, ტ. 25, გვ. 506—507).

იდეოლოგიური ბრძოლა ვლინდება ახ., მოწინავე რევ. იდეებსა და ძვ., რეაქციულ იდეებს შორის ბრძოლის ფორმით.

პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში ჯ. ბ. ვლინდება სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა სახით. ვ. ი. ლენინის აზრით, ამ დროს ჯ. ბ-ის გამოვლენის ძირითადი სახეებია: 1. ექსპლუატატორთა (ბურჟუაზია, მემამულეები, კულაკობა) წინააღმდეგობის დაძლევა მუშათა კლასისა და მისი მოკავშირის — ღარიბი გლეხობის მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით; 2. სამოქალაქო ომი; 3. საშ. გლეხობის გადმოყვანა მუშათა კლასის მხარეზე; 4. ძვ. სპეციალისტების გამოყენება და 5. შრომის ახ. დისციპლინის განმტკიცება. საბჭ. ხალხმა გაიმარჯვა ჯ. ბ-ის ყველა ფრონტზე და ააშენა სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, მოსპო ბურჟუაზია, მემამულეთა კლასი, კულაკობა, გამარჯვებით დამთავრდა სამოქალაქო ომი, საშ. გლეხობა ჩაება სოციალიზმის მშენებლობაში, შეიქმნა ახ. საბჭ. ინტელიგენცია, განმტკიცდა სოციალ. დისციპლინა, შრომისადმი, სოციალ. საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. ჩვენს საზ-ბაში დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა, შეწყდა ჯ. ბ.

ჯ. ბ. თანამედროვე ეტაპზე კაპიტალ. ქვეყნების საზ. ცხოვრების მთავარ შინაარსს შეადგენს. იგი ძირითადად მიმდინარეობს მონოპ. ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. მუშები იბრძვიან საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად, მტკიცე მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში, დემოკრ. და სოციალიზმისათვის. მუშათა მოძრაობაზე დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო სოციალ. სისტემა, რ-იც ადამიანთა საზ-ბის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია, მუშების გარშემო ერთიანდებიან სხვა მშრომელი სოც. ფენები, ყალიბდება ფართო ანტიიმპერიალ. ფრონტი. სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა, რ-საც თანამიმდევრულად იცავს საბჭ. კავშირი, არ აუქმებს ჯ. ბ-ის კანონებს. „ამ ბრძოლაში იჭედება მუშათა კლასის კავშირი ყველა მშრომელთან. მუშათა კლასი რაზმავს გლეხობას—თავის ძირითად მოკავშირეს — ფეოდალური გადმონაშთებისა და მონოპოლიათა ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშათა კლასის მოკავშირე ხდებიან მოსამსახურეთა ფართო ფენები, აგრეთვე ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც კაპიტალიზმს პროლეტართა მდგომარეობამდე დაჰყავს და რ-ებსაც შეგნებული აქვთ, რომ საჭიროა ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1971, გვ. 54).

ლიტ.: ე ნ გ ე ლ ს ი ფ., ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1970; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კარლ მარქსი, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 21; მ ი ს ი ვ ე, კლასობრივი ბრძოლის ლიბერალური და მარქსისტული გაგების შესახებ, იქვე, ტ. 19; მ ი ს ი ვ ე, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, იქვე; მ ი ს ი ვ ე, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იქვე, ტ. 30. იხ. აგრეთვე სტ-თან კ ლ ა ს ე ბ ი.

ბ. კარტოზია.

კლასთა ლოგიკა, ლოგიკის დარგი, რ-იც განიხილავს: საგანთა კლასებს, მათ შორის არსებულ მიმართებებსა (იგივეობა, ჩართვა, თანაკვეთა, გამიჯნულობა და ა. შ.) და მათზე განსაზღვრულ ოპერაციებს (შეერთება, კვეთა, შევსება, ფარდობითი ნამრავლი და ა. შ.). კ. ლ. ადგენს ამ მიმართებათა და ოპერაციათა თვისებებს. ხშირად კ. ლ-ს განიხილავენ როგორც დებულებათა ლოგიკის გაფართოებას, რ-ის დროსაც მხედველობაში მიიღება მარტივ დებულებათა სუბიექტურ-პრედიკატული სტრუქტურა. ამ შემთხვევაში მარტივ დებულებებში შემავალი ცნებები გაიგივებულია მათ მოცულობებთან (კლასებთან). არსებობს კ. ლ-ის სხვაგვარი (თუმცა არსებითად აღწერილის ეკვივალენტური) ინტერპრეტაციაც, რ-ის თანახმად კ. ლ. პრედიკატთა ლოგიკის კერძო შემთხვევაა. ამით კლასები გაიგივებულია ერთადგილიანი პრედიკატებით გამო-

ხატული ცნებების მოცულობებთან და, ამგვარად, ჰ. ლ. დაიყვანება პრედიკატთა ლოგიკის ერთადგილიან ფრაგმენტზე, რადგან ამ უკანასკნელისთვის ამოხსნადობის პრობლემა დადებითად წყდება, ჰ. ლ-ც ამოხსნადი თეორიაა. ტრად. ლოგიკა თითქმის მთლიანად დაიყვანება ჰ. ლ-ის მცირე ფრაგმენტზე, კლასებს შორის ძირითად მიმართებათა თეორიაზე.

ნ. ივანიძე.

კლასი (Claesz) პიტერ (1597 ან 1598, ბურგ-შტაინფურტი, ვესტფალია, — დაკრძალულია 1. X. 1661, ჰარლემი), ჰოლანდიელი ფერმწერი, ძირითადად ნატურმორტისტი. მუშაობდა ჰარლემში. კ-ის ნატურმორტები გამოირჩევა გამოსახული საგნებისა და კომპოზიციის უბრალოებით. ნატურმორტულ ფერწერაში პირველმა შეფასა მნიშვნელობა სინათლისა, ჰაეროვანი გარემოსა და მთელიანი ტონალობის კოლორიტისა, რ-თა საშუალებითაც აღწევდა იგი საგნებისა და გარემოს ერთიანობას.

კლასი (ლათ. classis — თანრიგი, ჯგუფი) (ბიოლ.), ცხოველთა და მცენარეთა სისტემატიკაში ერთ-ერთი ძირითადი ტაქსონომიური კატეგორია. კ. აერთიანებს მონათესავე რიგებს. მაგ., მღრღნელების, მტაცებლების, ხელფრთიანების და სხვ. რიგები შეადგენენ ძუძუმწოვართა კ-ს. თავის მხრივ მონათესავე კ-ები გაერთიანებულია ტიპად. მაგ., თევზების, ამფიბიების, ფრინველებისა და ძუძუმწოვართა კ-ები შედიან ქორდიანთა ტიპში. ტერმ. „კ“. სისტემატიკაში პირველად ფრანგმა ბოტანიკოსმა ჟ. ტურნეფორმა შემოიღო და შემდგომში კ. ლინეემ დაამკვიდრა თავის „ბუნების“ სისტემაში“ (1835).

კლასი ლოგიკაში, საგანთა ერთობლიობა, სიმრავლე, გააზრებული როგორც ამ საგნებისაგან განსხვავებული მთლიანობა; ასეთი გააზრების საფუძველია რაიმე თვისება, რ-იც აქვს კ-ში გააზრებულ ყველა საგანს და მხოლოდ მათ. საგნებს, რ-თა ერთობლიობაა კ., ამ კ-ის ელემენტები ეწოდება. კ-ს ეწოდება სასრული, თუ იგი შეიცავს n ცალ ელემენტს (n ნებისმიერი ნატურალური რიცხვია), წინაალმდეგ შემთხვევაში მას უსასრულო ეწოდება. სასრული კ-ის მაგალითია მთვარეზე ნამყოფი ადამიანების ერთობლიობა. ყველა მარტივი რიცხვის კ. უსასრულოა. კ-ის თავისებური კერძო შემთხვევაა ე. წ. ცარიელი ანუ ნულოვანი კ., რ-იც საერთოდ არ შეიცავს ელემენტებს (აღინიშნება λ ან Φ) და უნივერს. კ., რ-იც შეიცავს განსახილველ სასაგნო არის ყველა საგანს (აღინიშნება V-თი). ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ კ-ისა და სიმრავლის ცნებებს.

ნ. ივანიძე.

კლასიკა, განვითარების პერიოდი ძვ. ბერძნული ხელოვნების ისტორიაში, რ-იც მოიცავს ხანას ძვ. წ. V ს-იდან ძვ. წ. IV ს. I მეოთხედამდე. კ-ის ხელოვნების სოც. საფუძველი იყო მონათმფლობელური დემოკრატია. კ-ის ხელოვნებაში დამკვიდრდა რეალისტური მხატვრული მეთოდი. უმაღლეს ჰარმონიას მიაღწია არქიტ. საორდერო სისტემამ (არქიტ. იქტინე, კალიკრატე), შეიქმნა ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის სახეები (მოქანდაკეები მირონი, პოლიკლიტე, ფიდიასი, სკოპა, პრაქსიტელე, აგრეთვე ლისიპე, რ-ის შემოქმედება მომდევნო ისტ. ეტაპს უკავშირდება). მიღებულია კ-ის დაყოფა ადრინდელ („მკაცრი სტილი“, ძვ. წ. V ს. I ნახ.), მაღალ (ძვ. წ. V ს. II ნახ.) და გვიანდ. (ძვ. წ. 400—325) ეტაპებად.

კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების ეპოქის ბურჟუაზიული ეკონომიკური მოძღვრების მიმართულება, რ-მაც დასაბამი მისცა კაპიტალ. წარმოების წესის მეცნ. გამოკვლევას. მისი სამშობლოა XVII ს. ინგლისი (იმ დროისათვის ყველაზე უფრო განვითარებული კაპიტალ. ქვეყანა). კ. ბ. პ. ე-ის ჩამოყალიბებაში დიდმნიშვნელოვანი ისტ. როლი შეასრულეს აგრეთვე XVII—XVIII სს. ფრანგმა ეკონომისტებმა. კლასიკური პოლიტეკონ. ფუძემდებლად ითვლება ინგლისში უ. პეტი, ხოლო საფრანგეთში — პ. *ბუაგილბერი*. მათი ეკონ. შეხედულებები დაედო საფუძვლად ღირებულების შრომით თეორიას. კ. ბ. პ. ე-ის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია ფიზიოკრატებისა და მათი მამამთავრის ფრანსუა *კენეს* სახელთან. ფიზიოკრატების ეკონ. მოძღვრება, რ-იც მიმართული იყო ფეოდ. პრივილეგიებისა და მერკანტილური რეგლამენტაციების წინააღმდეგ, ხელი შეუწყო საფრ. 1789 ბურჟ. რევ. იდეურ მომზადებას. ფიზიოკრატების დამსახურებაა საზოგადოებრივი დოვლათისა და ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხების გადატანა მიმოქცევის სფეროდან მატერ. წარმოების სფეროში. ამით ფიზიოკრატებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს *მერკანტილიზმს* და საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალ. წარმოების ანალიზს. ფ. კენე პირველი ეკონომისტი იყო, რ-მაც სცადა აეხსნა კაპიტალ. კვლავწარმოების ერთობლივი პროცესის შინაგანი მექანიზმი, თუმცა მისი მოსაზრებანი თავისუფალი არ იყო მთელი რიგი პრინციპული ხასიათის წინააღმდეგობებისა და შეცდომებისაგან. კ. ბ. პ. ე-მ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ცნობილი ინგლ. ეკონომისტების ადამ *სმითისა* და დეივიდ *რიკარდოს* შრომებში. „ფიზიოკრატებისაგან განსხვავებით, ა. სმითი და დ. რიკარდო (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) კიდევ უფრო გადაჭრით ილაშქრებენ ფეოდალიზმისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ. მათ შეხედულებებში წარმოდგენილია ბურჟუაზია... რომელიც, ებრძვის რა ფეოდალური საზოგადოების ნაშთებს, ცდილობს ფეოდალური ლაქებისაგან გასწმინდოს ეკონომიური ურთიერთობანი, გაადიდოს საწარმოო ძალები და მრეწველობასა და ვაჭრობას მისცეს ახალი სტიმული“ (მარქსი კ., ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938, გვ. 114). ა. სმითმა და დ. რიკარდომ შემდგომი ნაბიჯი გადადგეს წინ კაპიტალ. წარმოების წესის მეცნ. შესწავლის საქმეში. ა. სმითმა პირველმა გამოაცხადა ღირებულების წყაროდ ყოველგვარი შრომა, წარმოების რომელ დარგშიც არ უნდა ყოფილიყო იგი დახარჯული. ა. სმითს, როგორც მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტს, შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველად შრომის დანაწილება მიაჩნდა. ა. სმითმა წინამორბედ ეკონომისტებთან შედარებით მეცნ. სიცხადე შეიტანა ბურჟ. საზ-ბის კლასობრივი სტრუქტურის გაგების საკითხში. მან პირველმა გაამახვილა ყურადღება დაქირავებულ მუშებზე, როგორც საზ. კლასზე, რ-ის ინტერესები არსებითად უპირისპირდება მესაკუთრეთა კლასის ინტერესებს. ა. სმითის შეხედულებანი პოლიტეკონ. საკვანძო საკითხებზე წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მისი მეთოდის ორადი ბუნებიდან გამომდინარეობს. იგი, ერთი მხრით, მიისწრაფოდა გამოეკვლია ბურჟ. საზ-ბის ფიზიოლოგია, აეხსნა ეკონ. პროცესების შინაგანი ბუნება, ხოლო მეორე მხრით, კმაყოფილდებოდა ამ პროცესების ზეერეკ, ზედაპირული აღწერით. ამიტომ ა. სმითის ეკონ. მოძღვრება მეცნ. დებულებებთან ერთად ვულგარიზმის ელემენტებსაც შეიცავს. მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩრდილავს პირველს. ა. სმითმა, როგორც ბურჟ. იდეოლოგმა, გაიზიარა და შემდგომ განავითარა ფიზიოკრატების ეკონ. ლიბერალიზმის იდეა. იგი გადაჭრით ილაშქრებდა პროტექციონიზმის წინააღმდეგ და თავგამოდებით იცავდა თავისუფალი კონკურენციის პრინციპს. დ. რიკარდოს ეკონ. მოძღვრება კ. ბ. პ. ე-ის აღმავალი განვითარების დამაგვირგვინებელი საფეხურია. დ. რიკარდო სამრეწვ. გადატრიალების ეპოქის ეკონომისტად ითვლება. ამიტომ მისი შეხედულებებისათვის დამახასიათებელია გამოკვეთილი პარტიულობა. იგი აშკარად იცავდა ახალგაზრდა სამრეწვ. ბურჟ. ინტერესებს. დ. რიკარდოს მეთოდოლოგია თავისუფალია ყოველგვარი გაორებისაგან, რამაც მას საშუალება მისცა ა. სმითთან შედარებით ზედმიწევნით თანამიმდევრულად დაემუშავებინა ღირებულების შრომითი თეორია ბურჟ. თვალთახედვის ფარგლებში. მან გვიჩვენა, რომ მუშის შრომით შექმნილი ღირებულება წარმოადგენს როგორც ხელფასის, ისე მოგების და რენტის ერთადერთ წყაროს. ამასთან, დაასაბუთა, რომ დაუშვებელია გავაიგივოთ საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომა იმ შრომასთან, რ-ის ყიდვაც საქონლით შეიძლება. დ. რიკარდო ღირებულების შრომითი განსაზღვრის საფუძველზე ლოგიკურად მივიდა იმ სწორ დასკვნამდე, რომ ხელფასის ყოველი შემცირება აუცილებლად იწვევს მოგების ზრდას, ხოლო გადიდება — შემცირებას. მაშასადამე, მისთვის არსებითად უკვე ცნობილი იყო კაპიტალ. საზ-ბის ორ ძირითად კლასს — პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას — შორის ინტერესთა დაპირისპირება. დ. რიკარდოს მოძღვრების სახით კ. ბ. პ. ე-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა რენტის გაგების საკითხში. დაასაბუთა, რომ დიფერენც. რენტა არ ეწინააღმდეგება ღირებულების კანონს და სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე უნდა აიხსნას. აბსოლ. რენტაში დ. რიკარდო ვერ გაერკვა. მისი რენტის თეორია მკვეთრად გააუფერულა ე. წ. „მიწის კლებადნაყოფიერების კანონთან“ კავშირმა. დ. რიკარდოს ეკონ. მემკვიდრეობით მთავრდება კ. ბ. პ. ე., რ-იც კაპიტალ. წარმოების წესის დამკვიდრების ეპოქაში ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ახალგაზრდა ბურჟ. პროგრ. იდეოლოგიას განასახიერებდა. კლასიკური სკოლის საუკეთესო წარმომადგენელთა თეორ. მემკვიდრეობა, ლენინის შეფასებით, მარქსიზმის ერთ-ერთი წყაროა. კ. მარქსმა კრიტიკულად გადაამუშავა კ. ბ. პ. ე., გამოიყენა მისი რაციონალური მარცვალი პროლეტარული, ნამდვილად მეცნ. პოლიტ. ეკონ. ჩამოყალიბებისათვის, ამავე დროს ღრმად გააკრიტიკა კ. ბ. პ. ე-ის მცდარი, არამეცნ. დებულებები, გვიჩვენა ამ სკოლის ბურჟ. შეზღუდულობა. კ. ბ. პ. ე-ის კლასიკოსები კაპიტალიზმს, მთელი მისი სოც.-ეკონ. წინააღმდეგობებით წარმოგვიდგენდნენ, როგორც ბუნებრივსა და მარადიულ წყობილებას. ბუნებრიობისა და მარადიულობის მეტაფიზ. პოზიციებიდან განიხილავდნენ ისინი ბურჟ. საზ-ბის ყველა კანონზომიერებასა და კატეგორიას. კაპიტალ. წარმოების წესის დამკვიდრების შემდეგ, როდესაც ბურჟუაზიამ ხელთ იგდო პოლიტ. ძალაუფლება და კლასობრივი ბრძოლა მისთვის აშკარად საშიში გახდა, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, „მეცნიერული ბურჟუაზიული ეკონომიის სასიკეთილო ზარმაც დაჰკრა“ (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 5). კ. ბ. პ. ე-ის ადგილი ვულგარულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დაიკავა.

ი. კრავცოვი.

პ. კლასი. „საუზმე“. 1642. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

კლასიკური განათლება, ზოგადი საშუალო განათლების ტიპი, რ-ის საფუძვე-

კლასიციზმი. კ. რ ო ს ი. თეატრალური ქუჩა (ახლა ხუროთმოძღვარ როსის ქუჩა). ლენინგრადი - 1828 — 34.

კლასიციზმი. თ. ტ ო ლ ს ტ ო ი. „ბრძოლა არსი-სიურობთან". მედალიონი სერიიდან „1812 წლის სამამულო ომი". ციკლი. 1829. რუსული მუზეუმი. ლენინგრადი.

ლია ლათინური და ბერძნული ენებისა და ანტიკური ლიტერატურის შესწავლა. ჩამოყალიბდა ევროპაში *რენესანსის* ეპოქაში. კ. ბ. მოემწყვდა ვიწრო ფილოლ. ჩარჩოში და ხელს უწყობდა სწავლებაში ფორმალიზმის განმტკიცებას, რის წინააღმდეგაც გაილაშქრეს ჰუმანისტებმა. ამჟამად საფრანგეთსა და იტალიაში არის კლასიკური ლიცეუმები, გფრ-ში—კლასიკური გიმნაზიები, დიდი ბრიტ. გრამატ. სკოლებში — კლასიკური განყ-ბები; ბელგიაში, ბრაზილიასა და სხვა ქვეყნებში —კლასიკური სკოლებია, მაგრამ წმინდა სახით კ. ბ. უკვე აღარსად არ არის. რ უ ს ე თ შ ი კ. ბ-ის კერები იყო *კიევ-მოგილას აკადემია, სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია, აკადემიის გიმნაზია* და სხვ. XIX ს. II ნახევარში გაჩაღდა ბრძოლა კლასიკური და *რეალური განათლების* მომხრეთა შორის. რეალური განათლების მომხრეები იყვნენ რევ.-დემოკრატები კ. უშინსკი და მისი თანამოაზრენი, მ. შ. ი. გოგებაშვილი. რუს. იმპერიაში კ. ბ. განათლების წამყვან ტიპად დარჩა ოქტ. რევოლუციამდე.

კლასიკური ლოგიკა, ძირითადი მიმართულება ფორმალურ ლოგიკაში, რ-საც კ. ლ. ეწოდება, თუ დებულებები (მსჯელობები, წინადადებები) გაგებულია ორფასობის პრინციპის მიხედვით, სახელდობრ, თუ მასში შეწყნარებულია: გამორიცხული მესამის კანონი, რ-ის თანახმად, ყოველი დებულება ჭეშმარიტია ან მცდარი, და *წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი*: არ არსებობს ისეთი დებულება, რ-იც არის ჭეშმარიტიც და მცდარიც. ეს პრინციპები გარკვევით ჩამოაყალიბა არისტოტელემ. ლოგიკის აგების პროცესში ისინი იმაში ვლინდებიან, რომ დებულებათა ჭეშმარიტების შესაძლო მნიშვნელობებად მიღებულია ჭეშმარიტება და მცდარობა, ხოლო ატრიბუტები (ანუ თვისებები და მიმართებები) გაგებულია, როგორც ფუნქციები, რ-ებიც საგნებს ასახავენ ამ სიმრავლეზე (იხ. აგრეთვე სტ. *არაკლასიკური ლოგიკა*).

ლიტ.: ტ ა რ ს კ ი ა., ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი, თარგმ. ინგლისურიდან, თბ., 1971; Г и л ь б е р т Д., А к к е р м а н В., Основы теоретической логики, пер. с нем., М., 1947. *ლ. მჭედლიშვილი.*

კლასიკური მექანიკა, *მექანიკა*, რ-საც საფუძვლად უდევს *ნიუტონის კანონები*. მისი შესწავლის საგანია მაკროსკოპულ მატერიალ. სხეულთა მოძრაობა, რ-იც სრულდება სინათლის სიჩქარესთან შედარებით მცირე სიჩქარით. სინათლის სიჩქარის რიგის სიჩქარეებით ნაწილაკთა მოძრაობა განიხილება *ფარდობითობის თეორიაში*, ხოლო მიკრონაწილაკთა მოძრაობა — *კვანტურ მექანიკაში*.

კლასიკური სკოლა ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი, პირველი მეცნიერული სკოლა სისხლის სამართლის დარგში. წარმოიშვა XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში, ასახავდა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ბურჟ. მოთხოვნებს და გამოდიოდა ფეოდ. სისხლის სამართ. პრინციპების წინააღმდეგ. ფორმალური დემოკრატიის ერთ-ერთმა ძირითადმა იდეამ — პიროვნების „თავისუფლებამ" — გამოხატულება პოვა ფორმულაში, რ-იც კ. ს-მ წამოაყენა: „არ არსებობს დანაშაული, არც სასჯელი კანონის გარეშე" („nullum crimen, nulla poena sine lege"). კ. ს-ის მომხრეთა აზრით, სისხლის სამართ. კანონი უნდა იყოს პირადი თავისუფლების გარანტია; იგი მკაფიოდ მოხაზავს აკრძალულ ზონას და ამით განსაზღვრავს, რომ ამ ზონის ფარგლებს იქით მოქალაქეს შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც მას მოესურვება. კანონიერების პრინციპი მიმართული იყო ფეოდ. მართლმსაჯულების თვითნებობის წინააღმდეგაც, როდესაც ხშირად მკაცრი სასჯელი ინიშნებოდა ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე. კ. ს. იცავდა აგრეთვე ფორმალური დემოკრატიის მეორე საწყისს — „ყველას თანასწორობას კანონის წინაშე". იგი წინააღმდეგი იყო სისხლის სამართ. პასუხისმგებლობის დაკავშირებისა ბრალდებულის წოდებრივ კუთვნილებასთან და მოითხოვდა, რომ სასჯელის ოდენობა დამოკიდებული ყოფილიყო მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად სასჯელის თეორიებსაც. კ. ს-ის მომდევართა უმრავლესობა სასჯელს განიხილავს როგორც მისაგებელს, ე. ი. როგორც დანაშაულის პროპორციულ საზღაურს.

კ. ს-ის მეთოდოლ. წანამძღვარი იყო *იურიდიული მსოფლმხედველობა*. კ. ს-ის თვალსაზრისით, სისხლის სამართ. მეცნიერების საგანია დანაშაული და სასჯელი, როგორც განყენებული სამართლებრივი ცნებები, რ-იც უნდა შეისწავლონ ფორმალურ-იურიდ. (დოგმატური) მეთოდის საშუალებით. ამგვარად, კ. ს. სწყვეტდა ერთმანეთს ფორმასა და შინაარსს, აფეტიშებდა სისხლის სამართ. კანონს და განიხილავდა დანაშაულსა და სასჯელს ისტ. და სოც. პერსპექტივის გარეშე; ამით იგი ამ ცნებებს მიაკუთვნებდა სამარადისო და ლოგიკურ კატეგორიებს, რ-თა არსებობა არ არის დაკავშირებული საზ. ეკონ. ფორმაციებთან. იგი არ სვამდა საკითხს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. მანკიერი მეთოდოლოგიის გამო კ. ს-მ სრული უმწეობა გამოამჟღავნა დანაშაულობის ზრდის ახსნაში, ვერ შეძლო დაესახა მასთან ბრძოლის რადიკალური ზომები.

კ. ს-ს ემხრობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. ამ სკოლის ცალკეული იდეები გვხვდება ინგლ. ფილოსოფოსებისა და იურისტების (ჯ. ლოკი, უ. ბლექსტონი), ფრანგი განმანათლებლების (შ. მონტესკიე, ვოლტერი) ნაშრომებში. კ. ს-ის მრავალი დებულება წამოაყენა იტალ. მეცნიერმა ჩ. *ბეკარიამ*. გერმანიაში ამ სკოლის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ იურისტები ანზელმ *ფოიერბახი*, კ. კეტლინი, შემდეგ კ. ბინდინგი; ისინი ეყრდნობოდნენ ი. *კანტისა* და გ. ვ. ფ. *ჰეგელის* ფილოსოფიურ შეხედულებებს. რევოლუციამდელ რუსეთში კ. ს-ის შეხედულებებს იზიარებდნენ ზ. გორიუშკინი, ნ. *სანდუნოვი* (ზანდუკელი), XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ვ. *სპასოვიჩი*, ნ. ნეკლიუდოვი, ნ. *ტაგანცევი*, ნ. სერგიევსკი და სხვ.

ლიტ.: Б е к к а р и а Ч., О преступлениях и наказаниях, пер. с итал., М., 1939; П о з н ы ш е в С. В., Основные начала науки уголовного права, 2 изд., М., 1912; Р е ш е т н и к о в Ф. М., Уголовное право буржуазных стран, в. 2, М., 1966. *ვ. მაყაშვილი.*

კლასიკური ცეკვა, ქორეოგრაფიული ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებების დაკანონებული სისტემა, რ-იც სცენური სახის პოეტურ-განზოგადებული გაზრების პრინციპს ემყარება; ემოციების, აზრისა და განცდების გადმოცემა პლასტ. საშუალებებით. ტერმ. დამკვიდრდა რუსეთში XIX ს. დასასრულს. იხ. *ბალეტი, ცეკვა*.

კლასიკური ჭიდაობა, სპორტული ჭიდაობის სახეობა. ტარდება 8×8 *მ* ლეიბზე; ხანგრძლივობა — 3-3-წუთიანი პერიოდი; პერიოდებს შორის თითოწუთიანი შესვენება. მოჭიდავეები დაყოფილი არიან ასაკობრივ ჯგუფებად და წონით კატეგორიებად (იხ. *თავისუფალი ჭიდაობა*). ჭიდაობენ დგომში და ჩოქებჯენში. დაშვებულია გადაყვანა, გდება, წაქცევა და ჩოქებჯენში (პარტერში) ბრუნი და გდება. აკრძალულია წელქვევით ჩავლება, სარმა და ილეთების დროს ფეხების გამოყენება. კ. *ჭ*-ის მიზანია აიძულო მოწინააღმდეგე შეეხოს ლეიბს ერთდროულად ორივე ბეჭით ან ზურგზე ტრიალით ორივე ბეჭით ერთიმეორის შემდეგ. ასეთი შედეგი ფასდება როგორც წმინდა გამარჯვება. თუ ჭიდაობისათვის განკუთვნილ დროში ვერც ერთმა ვერ მიაღწია წმინდა გამარჯვებას, გამარჯვებული გამოვლინდება წარმატებით ჩატარებული ილეთებისათვის მიღებული ქულებით. თუ განსხვავება ქულებში 7 ან მეტია, ასეთი შედეგი წმინდა გამარჯვებას უტოლდება. თუ ქულათა რაოდენობა თანაბარია, ორთაბრძოლა ფრედ დამთავრებულად ცხადდება.

წმინდა გამარჯვებისათვის ან აშკარა უპირატესობით მოგებისათვის მოჭიდავეს საჯარიმო ქულა არ ერიცხება, დამარცხებულს კი ეძლევა 4 საჯარიმო ქულა; ქულებით მოგებისათვის გამარჯვებულს ეძლევა 1 საჯარიმო ქულა, დამარცხებულს— 3; ფრეს შემთხვევაში ორივე მოჭიდავეს 2-2 საჯარიმო ქულა ეწერება. ილეთის ჩატარებისათვის, რ-იც მეტოქეს კრიტ. მდგომარეობაში მოაქცევს 5 *წმ*-ს ან მეტხანს, ილეთის ჩამტარებელს 3 მომგებიანი ქულა ეწერება, 5 *წმ*-ზე ნაკლებ დროში — 2 ქულა. ყოველი ილეთი და ჩოქებჯენში გადაყვანა 1 ქულით ფასდება. პასიური ჭიდაობისათვის მოჭიდავეს ეძლევა გაფრთხილება, მოწინააღმდეგეს კი ეწერება 1 მომგებიანი ქულა. 2 გაფრთხილების შემდეგ წესის დარღვევისათვის მოსაპარეზეს წაგება ეთვლება. კ. *ჭ*-ში ქართვ. ფალავნებიდან განსაკუთრებით მაღალი სპორტ. მიღწევები აქვთ გ. *კარტოზიას*, რ. *რურუას*, ა. *ქორიძეს*, რ. *აბაშიძეს*, შ. ჩიხლაძეს, რ. ძნელაძეს და სხვ.

1921 შეიქმნა ჭიდაობის საერთაშ. საამოყვარულო ფედერაცია (ფილა), რ-შიც საბჭ. კავშირის მოჭიდავეები 1947 შევიდნენ. 1959 შეიქმნა სსრკ ჭიდაობის ფედერაცია. კ. *ჭ*-ში, თავისუფალ ჭიდაობასა და *ძიუ-დოში* შეჯიბრებები ტარდება ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე; ეს სახეობები შედის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. *ვ. ბალავაძე.*

კლასიფიკატორი, კ ლ ა ს ი ს ნ ი შ ა ნ ი, მორფოლოგიური ელემენტი (პრეფიქსი), რ-იც მიუთითებს, რომ სათანადო სიტყვა მიეკუთვნება ამა თუ იმ კლას-კატეგორიას (მაგ., ვ I კლასის ნიშანია ხუნ-ბურში: ვ-ას „ვაჟიშვილი", შდრ. დ-ას „ქალიშვილი", სადაც *დ* — არის II კლასის ნიშანი).

კლასიფიკატორი ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო წ ი ა ღ ი ს ე უ ლ ი ს გ ა მ დ ი დ რ ე ბ ა შ ი, აპარატი, რ-ითაც მინერალური ნაწილაკების ნარევს კლასებად ყოფენ სიხოს, ფორმის ან სიმკვრივის მიხედვით. განასხვაებენ ჰიდრავ. და პნევმ. კ-ებს, არის ე. წ. ელექტრული სეპარატორიც. ყველაზე მეტად გავრცელებულია სველი მექან. კ. (სახვეტებიანი ან არქიმედეს ხრახნის ტიპის სპირალური კ., რ-საც მადნის საფლოტაციოდ მომზადების დროს იყენებენ; იხ. *ფლოტაცია*).

კლასიფიკაცია (ლათ. classis — თანრიგი, facio — ვაკეთებ), საგანთა ერთობლიობის გაყოფა კლასებად რაიმე ნიშან-თვისებების მიხედვით (მაგ., ცხოველთა და მცენარეთა კ. ბიოლოგიაში, ნივთიერებათა კ. ქიმიაში, საზ.-ეკონ. ფორმაციათა კ. სოციოლოგიაში და სხვ.). კ-ის შედეგად მიღებულ კლასებს კ-ის კ ლ ა ს ე ბ ი ეწოდება, ხოლო იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, რ-თა მიხედვით საგნები დანაწილდება კლასებად — კ-ის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. ლოგიკური თვალსაზრისით კ. შეიძლება იყოს სწორი, კორექტული და არასწორი, არაკორექტული. კ-ის სისწორისათვის საჭიროა: 1. ერთობლიობაში შემავალი ყოველი საგანი კ-ის რ-იმე კლასში შედიოდეს (ადეკვატურობის პირობა); 2. ერთი და იგივე საგანი არ უნდა შედიოდეს კ-ის ერთზე მეტ კლასში ანუ კ-ის კლასები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდეს (გამოჯვნულობის პირობა). ამ პირობების დარღვევას ხშირად იწვევს ის, რომ კ-ის პროცესში იცვლება კ-ის საფუძველი (ასე მოხდება მაგ., თუ მოსწავლეთა ერთობლიობის კ-ის ერთ კლასში მოვაქ-

ცევთ იმ მოსწავლეებს, რ-ებსაც 12 წელი შეუსრულდათ, მეორეში კი — ფრიადოსნებს და ა. შ.). მეცნ. ღირებულება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სწორ კ-ს, როცა კ-ის საფუძველია დასაყოფი საგნების არსებითი ნიშან-თვისებები (ბ უ ნ ებ რ ი ვ ი კ.). წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობენ, რომ კ. ხ ე ლ ო ვ ნ ურ ი ა ო (მაგ., ადამიანთა დაყოფა მათი გვარების თავკიდური ასოების მიხედვით). პრაქტ. გამოყენება შეიძლება ჰქონდეს როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურ კ-ს.

კ. მჭიდრო კავშირშია ცნების გაყოფასთან. მათი განმასხვავებელი ნიშნებია: კ. არის ცნების გაყოფის კერძო შემთხვევა, სახელდობრ, კ-თან გვაქვს საქმე, თუ ცნება დაყოფილია სახეებად, ეს სახეები კი — ქვესახეებად და ა. შ.; კ. არის რეალურ საგანთა ერთობლიობის დაყოფა კლასებად. ცნების გაყოფისას კი კლასებად იყოფა ცნების მოცულობა, რ-შიც „შესაძლებელი", „მოაზრებადი" საგნებიც შედის (იხ. *ცნება*). ორივე შემთხვევაში განსხვავება კ-სა და ცნების გაყოფას შორის არაარსებითია. კ-ის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრეთვე ეკვივალენტობის ტიპის მიმართებასთან. კერძოდ, ყოველი ასეთი მიმართების საშუალებით შეიძლება ჩატარდეს კ. და ყოველი კ-ის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ეკვივალენტობის ტიპის მიმართება (იხ. სტ. *აბსტრაქცია*). *ლ. მჭედლიშვილი.*

კლასიფიკაცია ს ა ს ა რ გ ებ ლ ო წ ი ა ლ ი ს ე ულ ი ს გ ა მ დ ი დ რ ე ბ ა შ ი, წვრილი მასალის დაყოფა კლასებად სისხის, ზომის ფორმისა და სხვა სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით. შედარებით მსხვილ (2—4 *მმ*) ნატეხებს კლასებად ყოფენ გაცხრილვის ან გაცრის მეშვეობით (იხ. *კლასიფიკატორი*). როცა ნატეხები წვრილია, გაცრა ძნელია და ნაკლებმწარმოებლური, ვინაიდან საცრის უჯრედები ნატეხებით ივსება.

კ-ის ყველაზე გავრცელებული მეთოდი ემყარება წყალში ან ჰაერში ნაწილაკთა სხვადასხვა სიჩქარით გადაადგილებას, რაც გამოწვეულია სიმძიმის ან ცენტრიდანული ძალის ზემოქმედებით. ნაწილაკთა მოძრაობის სიჩქარეს განაპირობებს უმთავრესად მათი ზომა, აგრეთვე ფორმა და სიმკვრივე.

კლასიფიკაცია საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული, ნაბეჭდი ნაწარმოებებისა და მათი აღწერილობების (აგრეთვე ზოგიერთი დოკუმენტის) მოწესრიგებული განლაგების სისტემა. მასალა შეიძლება განლაგდეს შინაარსის, გამოცემის ფორმის, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რა სახის მკითხველისათვის არის განკუთვნილი და სხვ. კ. ს.-ბ-ის საფუძველზე დგება სისტემ. კატალოგი (იხ. *კატალოგი* საბიბლიოთეკო) და ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები. სსრკ-ში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდ იყენებენ ცენტრალიზებულ კლასიფიკაციას, ე. ი. საკლასიფიკაციო ინდექსების პუბლიკაციას უშუალოდ წყაროში.

XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში იქმნებოდა ჩამოთვლითი ტიპის კ. ს.-ბ., რ-ის დანაყოფები დალაგებული იყო იერარქიული მწკრივის მარტივი თანამიმდევრობით; ცნობილია მ. დიუის „ათწილადი კლასიფიკაცია" (1876), „აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის კლასიფიკაცია" (1904). კომბინირებული კლასიფიკაციებიდან ყველაზე თანმიმდევრულია *„უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია"*. ჩნდება ანალიტიკურ-სინთეზური ანუ ფასეტური კლასიფიკაციები (შ. რ. რანგანათანი, „კლასიფიკაცია ორწერტილით", 1933).

სსრკ-ში 1927-მდე ბ-კები იყენებდნენ მ. დიუის „ათწილად კლასიფიკაციას". ლ. ტროპოვსკისა და ზ. ამბარცუმიანის ხელმძღვანელობით დაამუშავეს და დახვეწეს ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები. პარალელურად დაამუშავეს აგრეთვე კომბინირებული კ. ს.-ბ. (ББК) სამეცნ. ბ-კებისათვის. სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (1962), ტექ., სამედ., სას.-სამ. ბ-კებისათვის, აგრეთვე სამეცნ.-ტექ. ინფორმაციის ორგანოებისათვის შემოღებულია „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია" (УДК). *ნ. გურგენიძე.*

კლასიციზმი (<ლათ. classicus—სანიმუშო), მხატვრული სტილი და ესთეტიკური მიმართულება XVII ს.—XIX ს. დასაწყისის ევროპულ ლიტ-რასა და ხელოვნებაში. მისი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ანტ. ლიტ-რისა და ხელოვნების გამოცხადება იდეალურ ესთეტ. ეტალონად. კ-ის საფუძველია დეკარტსა და კარტეზიანელობის რაციონალისტური პრინციპები. იგი ერთმანეთს უპირისპირებს გვარეობითსა და ინდივიდუალურს, საზოგადოებრივსა და პირადს, გონებასა და გრძნობას, ცივილიზაციასა და ბუნებას. კ-ის მიხედვით, მხატვრული ნაწარმოები არის გონების, ლოგიკის ესთეტ. პროდუქტი. მხატვრული ფორმა ხელოვანის გონივრული შემოქმედებითი ნების გამოვლენაა, ცხოვრებისეული და ბუნებრივი მასალის გარდაქმნაა ლოგიკურად მწყობრ, ხელოვნების მშვენიერ ნაწარმოებად; ამით ხელოვნებას ეკისრება სამყაროს იდეალური კანონზომიერების გამოვლენის ფუნქციაც.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი კ-ის აღზევება მიმდინარეობდა ბაროკოს ატმოსფეროში და გარკვეულ ხანს — მის პარალელურადაც. კ-ის ზოგიერთი ნიშან-თვისება ბაროკოსთან შეხებისა და მისგან გამიჯვნის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ბაროკოსათვის ნიშანდობლივ შთაგონების ანარქიულობასა და ფანტაზიის თვითნებობას კ-ში დაუპირისპირდა შემოქმედების დისციპლინირებისა და ხელოვანის გარეშე არსებული მხატვრული კანონების მოთხოვნები. ეს კანონები გამომუშავდა არისტოტელესა და ჰორაციუსის პოეტიკაზე დაყრდნობით. რეალურისა და სასურველის ურთიერთმიმართებაში, კ-ის მიხედვით, სინამდვილე აღქმული უნდა ყოფილიყო სწორედ სასურველის კუთხიდან. ამით კ. ენათესავება რენესანსულ სტილს. მაგრამ ეს ნათესაობა უფრო ზედაპირულია, ვიდრე სიღრმისეული. კ-ში ადამიანის რენესანსული მთლიანობა და ჰარმონიულობა დარღვეულია.

ლიტ-რის ყურადღების მთავარ საგნად-აც კ-მა სახელმწიფო იდეოლოგიისათვის გამოსადეგი ზნეობა და იდეალები აქცია. ამოსავალ პრინციპად დაისახა წარმოდგენა სახელმწიფოზე, როგორც ადამიანისათვის უმაღლეს სიკეთეზე. შემოქმედების ნორმატულობა კ-ში მხატვრული კანონის თავისებურ დოგმატიზმში გადაიზარდა. ამ კანონებმა დასრულებული სახე მიიღო ნ. ბუალოს „პოეტურ ხელოვნებაში" (1674).

ევრ. ლიტ-რის განვითარებაში კ. ეროვნ. ვარიანტების სახით გამოვლინდა. XVII ს. მიწურულს იგი შევიდა კრიზისის ფაზაში და ხელახლა აღორძინდა განმანათლებლურ ეპოქაში (ვოლტერის „ანრიადა", „ბრუტუსი", „მუჰამადი", მ. ჟ. შენიეს „შარლ IX" და სხვ.).

კ-ის ჩასახვა და აღორძინება ევრ. ქვეყნებში მეტწილად განმანათლებლური იდეების გავრცელების სულისკვეთებას შეერწყა (მაგ., ინგლისში — ჯ. ადისონი, ა. პოუპი; იტალიაში — ვ. ალფიერი, ნ. უ. ფოსკოლო; გერმანიაში — ი. კ. გოტშედი). საფრ. რევ. მესვეურნი კლასიციზტური სტილისა და განმანათლებლური იდეების უდიდეს გავლენას განიცდიდნენ. მიუხედავად თეორ. შეხედულებათა მყარი ერთგვაროვნებისა, კ. განვითარების მანძილზე მუდამ ერთგვაროვანი და სტაბილური სტილი არ ყოფილა.

ქართ. ლიტ-რაში კ-ის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. XVII—XVIII სს. ქართ. ლიტ-რის წიაღშივე შეინიშნება განმანათლებლური იდეების დამკვიდრებისა და შემოქმედების ნორმატივებისაკენ მიდრეკილება. კლასიციზტური სტილის თეორ.-დეკლარაციული გაფორმების ჩანასახს ქართ. ლიტ-რაში ნათლად გამოხატავს მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი" (1731), უფრო მოგვიანებით კი — ანტონ I კათალიკოსის შემოქმედება.

პ ლ ა ს ტ ი კ ურ ხ ე ლ ო ვ ნ ებ ა შ ი კ-ის წინაპირობები ჯერ კიდევ XVI ს. II ნახევარში ჩაისახა იტალიაში — პალადიოს თეორიასა და პრაქტიკაში, ვინიოლასა და ს. სერლიოს თეორ. ტრაქტატებში. უფრო თანამიმდევრულად გამომჟღავნდა ბოლონიის სკოლის აკადემიკოსთა ესთეტ. ნორმატივებში. XVII ს-ში კ. მხოლოდ საფრანგეთში იქცა ერთიან სტილურ სისტემად, საერთო-ევრ. სტილად კი — XVIII ს.—XIX ს. დასაწყისში. კ-ის მიმდევრები არქიტექტურაში მიმართავდნენ ანტ. არქაულ ფორმებს, იყენებდნენ ძირითადად ორდერს. მათ ნამუშევრებში არქიტ. დეკორი მსუბუქად და ზომიერად ამკობს და არ ფარავს შენობის ზოგად სტრუქტურას. მოცულობათა დაგეგმარება ნათელი და სიმეტრიულია. ინტერიერის სივრცობრივი დანაწევრება — მკაფიო, ხოლო ფერები—ზომიერი. ხელოვნების დარგთა კლასიციზტურ სინთეზში წამყვანი ადგილი არქიტექტურას ეჭირა. ფერწერაში უპირატესობა ნახატსა და რრდილნათელს ენიჭებოდა, ხოლო ლოკალური კოლორიტი 3 ძირითადი ფერის (მაგ., ყავისფერი—პირველი, მწვანე—მე-2 და ცისფერი—შორეული პლანისათვის) შეხამებით იქმნებოდა. XVII ს. ფრანგ. კ-ის უდიდესი მხატვარი და თეორეტიკოსი იყო ნ. პუსენი. ამ ეპოქაში ბრწყინვალე განვითარებას მიაღწია იდეალურმა პეიზაჟმა (ნ. პუსენი, კლოდ ლორენი, გ. დიუგე). არქიტექტურაში კ-ის პრინციპებმა თავი იჩინა ჟ. არდუენ-მანსარის, კ. პეროს, ლ. ლევოს და სხვ. შემოქმედებაში. XVII ს. II ნახ. ფრანგ. კ. *ბაროკოს* სულ უფრო და უფრო მეტ ელემენტებს ითვისებს (ვერსალის არქიტექტურა და დაგეგმარება, არქიტ. ჟ. არდუენ-მანსარი, პარკის დაგეგმარება ა. ლენოტრი). XVII ს. — XVIII ს. დასაწყისში კ. ვრცელდება ჰოლანდიის ხუროთმოძღვრებაში (არქიტ. ი. ვან კამპენი, პ. პოსტი). ინგლისში ჩამოყალიბდა კ-ის ეროვნ. ვარიანტი (არქიტ. კ. რენი). XVIII ს-ში კ-ში თავი იჩინა ახ. მიმართულებამ, რ-იც თავდაპირველად *როკოკოს* დაუპირისპირდა და შეესაბამებოდა განმანათლებელთა კ-ს ლიტ-რაში. არქიტექტურაში ცდილობდნენ წარმოეჩინათ ორდერის კონსტრუქციული მნიშვნელობა. კლასიციზტური ნაგებობის ირგვლივ ქმნიდნენ პეიზაჟურ გარემოს—„ინგლისურ" პარკს. XVIII ს. კ-ზე დიდი გავლენა იქონია ბერძნ. და რომაულ სიძველეთა არქეოლ. მონაპოვარმა, აგრეთვე ი. ი. ვინკელმანისა და სხვ. თეორ. შრომებმა. ამ ეპოქის ფრანგულ ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა საზ. ნაგებობათა, საცხოვრ. სახლებისა და ქალაქთდაგეგმარების ახ. არქიტ. ტიპები (არქიტ. ჟ. ა. გაბრიელი, ჟ. ჟ. სუფლო), მოქალა-

კლასიციზმი. ფ. შ უ ბ ი ნ ი. ე. ჩულკოვის პორტრეტი. მარმარილო. 1792. რუსული მუზეუმი. ლენინგრადი.

კლასიციზმი. ჯ. ფ ლ ე ქ ს მ ე ნ ი. „ილიადის" ილუსტრაცია (ტ. პიროლის გრავიურა). 1793.

ქეობრივი პათოსითა და ლირიზმით ალსავსე ჟ. ბ. პიგალის, ე. მ. ფალკონეს, ჟ. ა. პუდონის პლასტ. ნამუშევრები, ჟ. მ. ვიენის ისტ. და მითოლ. ფერწერა. საფრ. დიდი რევ. წინა პერიოდის არქიტექტურა ისევ ბერძნ. არქაიკისა და ძვ. ეგვ. ხუროთმოძღვრების მოტივებს მიმართავდა, იყენებდნენ ზოგჯერ უორდერო სისტემასაც, რამაც გზა გაუკაფა გვიანდ. კ-ს, ანუ *ამპირს*. კლასიცისტური ფერწერის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ ჟ. დავიდი, ჟ. ენგრი, XVIII ს. — XIX ს. დასაწყისში კ-ის ინტერნაციონალურ ცენტრად იქცა რომი, სადაც მუშაობდნენ გერმ. ფერმწერი ა. რ. მენგსი, იტალ. მოქანდაკე ა. კანოვა, დან. ბ. თორვალდსენი და სხვ. XVIII ს.—XIX ს. დასაწყისში გერმ. კლასიცისტური ხუროთმოძღვრების წარმომადგენლები არიან ფ. ვ. ერდმანსდორფი, კ. ფ. შინკელი; ფერმწერები ა. ი. კარსტენსი, მოქანდაკე ი. გ. შადოვი, ი. ჰ. დანეკერი და სხვ.

XVIII ს. — XIX ს. დასაწყისში ინგლ. კლასიცისტურ ხუროთმოძღვრებაში უპირატესობა თავდაპირველად პალადიანელობას ენიჭებოდა (არქიტ. უ. კენტი, ჯ. ჰეინი). ანტ. ნიმუშებით დაინტერესდნენ ძმები ადამები. ინგლ. კ-მა დიდი მიღწევები მოიპოვა თამამ საქალაქთმშენებლო ღონისძიებათა განხორციელებაში (არქიტ. ჯ. ვუდი, ჯ. ვუდ უმცროსი, ჯ. ნაში). ამ პერიოდში აღსანიშნავია მხატვარ-ილუსტრატორისა და მოქანდაკის ჯ. ფლექსმენის შემოქმედება.

ო. კლაუზიუსი.

XVIII ს. — XIX ს. დასაწყისში კ. ვიიარდება იტალიაში (არქიტ. ჯ. პიერმარინი), ესპანეთში (არქიტ. ხ. დე ვილიანუევა). აღმ. ევრ. და სკანდ. ქვეყნებში, აშშ-ში (ჯ. ჰობანი, ფერმწერი ბ. უესტი და სხვ.). XIX ს. I მესამედის დასასრ. კ., როგორც ფსევდოკლასიცისტური სტილი, კარგავს მნიშვნელობას. მისი ნიშნები შემორჩა XX ს. ნეოკლასიციზმს. რუსეთში კ. განვითარდა XVIII ს. — XIX ს. I მესამედში. ადრინდ. კლასიცისტურ ნაგებობებში (1760—70-იანი წწ.; ა. კოკორინოვი, ჟ. ბ. ვალენ-დელამოტი, კ. ბლანკი) ჩანს ბაროკოს ნიშნები. მომწიფებული კ-ის ხანაში (1770—90-იანი წწ.; ვ. ბაჟენოვი, ი. სტაროვი, მ. კაზაკოვი, ჩ. კამერონი, ჯ. კვარენგი) იქმნება პალადიანელობის რუს. ვარიანტი. ამპირის ეპოქაში განხორციელდა განსაკუთრებით გრანდიოზული საქალაქთმშენებლო ღონისძიებანი (პეტერბურგი). მუშაობდნენ არქიტექტორები ა. ვორონიხინი, ა. ზახაროვი, ჟ. ტომა დე ტომონი, კ. როსი — პეტერბურგში; დ. ჟილარდი, ო. ბოვე — მოსკოვში. სახვით ხელოვნებაში კ-ის წარმომადგენლები იყვნენ ფერმწერები ა. ლოსენკო, ა. ი. ივანოვი, ვ. შებუევი; მოქანდაკე ფ. შუბინი, პეიზაჟისტი თ. მატვეევი, გრაფიკოსი თ. ტოლსტოი და სხვ.

თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა. მსახიობის შემოქმედების ძირითადი პირობა გახდა რაციონალური მეთოდი. კლასიცისტ მსახიობს ლექსები უნდა წაეკითხა ემოციურად, მაგრამ არ უნდა შეექმნა ჭეშმარიტი განცდის ილუზია. სპექტაკლისათვის დამახასიათებელი იყო იმპოზანტურობა, სტატიკურობა, დეკორაცია მოკლებული იყო ყოველგვარ ისტ. და ყოფით კონკრეტულობას. XVII ს. განმანათლებლური კ-ის წარმომადგენლები იყვნენ მსახიობები: ა. ლეკენი, ი. კლერონი, მ. დიუმენილი. კ-ის დემოკრ. ტენდენციები ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მოლიერის შემოქმედებაში. საფრ. დიდი რევ. პერიოდში მსახიობებმა ფ. ჟ. ტალმამ და სხვ. კ-ს ახ. რევ.-გმირული ჟღერადობა მიანიჭეს. კ-ის წარმომადგენლები არიან: კ. ნოიბერი (გერმანია), ჯ. კემბლი (ინგლისი), ე. რაშელი (საფრანგეთი) და სხვ.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში კ-ის გავლენა იგრძნობოდა „კომედი ფრანსეზის“ სპექტაკლებში, მსახიობების ჟან მუნე-სიულის, სარა ბერნარის და სხვ. შემოქმედებაში. რუს. კ-ის წარმომადგენლები არიან თ. ვოლკოვი, ი. დმიტრევსკი და სხვ. XIX ს. დასაწყისში კ-მა ესთეტ. და მხატვრული კრიზისი განიცადა.

ლიტ.: Всеобщая история архитектуры, т. 7, М., 1969; К о в а л е н с к а я Н. Н., Русский классицизм, М., 1964, Ренессанс. Барокко. Классицизм. Проблема стилей в западноевропейском искусстве XV—XVII веков, М., 1968. Р о т е н б е р г Е. И., Западноевропейское искусство XVII века, М., 1971 (Памятники мирового искусства, в. 4, I серия).

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 545.

კლასოვანი უღვლილება, ისეთი უღვლილება, როდესაც ზმნა იცვლება არა პირის, არამედ გრამატიკული კლასის მიხედვით (მაგ., ხუნძურში, I კლასის *ვუგო*, II კლასის *ბიგო*, III კლასის *ბუგო* — თითოეული ამათგანი გადმოსცემს როგორც I, ისე II და III პირს — „ვარ, ხარ, არის“).

კლასტოკარსტი (ბერძნ. klastikos — დამსხვრეული და *კარსტი*), რელიეფის ზედაპირული და მიწისქვეშა ფორმების (ძაბრები, ქვაბულები, მღვიმეები და სხვ.) ერთობლიობა, რ-იც წაგავს კარსტს. წარმოიქმნება ნატეხი ქანების (კონგლომერატები, ქვიშაქვები, თიხები და სხვ.) შემაცემენტებელი ხსნადი კომპონენტების ეროზიისა და გახსნის შედეგად. ტერმ. „კ.“ შემოიღო საბჭ. მეცნიერმა გ. მაქსიმოვიჩმა. კ. მიეკუთვნება *ფსევდოკარსტს*. კ. სსრკ-ში საუკეთესოდ არის გამოხატული აღმ. ციმბირში და საქართველოში (სამეგრელო, აფხაზეთი). *შ. ტინტილოზოვი.*

კლასტური ქანები (<ბერძნ. klastikos— დამსხვრეული), მთლიანად ან ძირითადად სხვადასხვა ქანების და მინერალების ნატეხებისაგან შემდგარი შეცემენტებული ან ფხვიერი *დანალექი ქანები*. კ. ქ-ის მარცვლების სიდიდის მიხედვით არჩევენ უ ხ ე შ მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ქ ა ნ ე ბ ს ანუ *ფსეფიტებს* (1 *მმ*-ზე დიდი მარცვლები), ქ ვ ი შ ა ქ ვ ე ბ ს და ქ ვ ი შ ე ბ ს ანუ *ფსამიტებს* (მარცვლები 0,1—1 *მმ*), მ ტ ვ რ ი ს ე ბ რ ქ ა ნ ე ბ ს ანუ *ალევრიტებს* (მარცვლები 0,01—0,1 *მმ*) და თ ი ხ ებ ს ანუ *პელიტებს* (0,01 *მმ*-ზე მცირე მარცვლები).

კ. ქ. წარმოიქმნება ხმელეთის ნგრევის, ზედაპირის გადარეცხვისა და ნაშალი მასალის დაგროვების შედეგად როგორც ზღვისა და მტკნარი წყლის აუზებში, ისე ხმელეთზე. *ვ. ჩიხრაძე.*

კლაუზევიცი (Clausewitz) კარლ (1. VI. 1780, ბურგი, მაგდებურგის მახლობლად, — 16. XI. 1831, ბრესლაუ, ახლანდ. ვროცლავი, პოლონეთი), გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, პრუსიელი გენერალი. მონაწილეობდა საფრანგეთთან ომში (1806—07). დაწერა „სამხედრო სწავლების მიმოხილვა (ომის უმნიშვნელოვანესი პრინციპები)“. ავტორია პატრ. დოკუმენტისა „რწმენის სამი სიმბოლო“, რ-შიც წამოაყენა ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ სახ. ომის გაჩაღების იდეა რუსეთთან ერთად. 1812-იდან. რუს. არმიაში იყო, 1814 — ისევ პრუსიის არმიაში. პროგრ. იდეებთან და ფეოდ. სამხ. სისტემის კრიტიკასთან ერთად კ-ის ნაშრომებში გამოსჭვივის რეაქციული შეხედულებები, პრუსიელი ნაციონალიზმი და ანტიდემოკრატიზმი. მან ღრმად შეისწავლა 130-ზე მეტი ლაშქრობა და ომი 1566-იდან 1815-მდე და დაწერა სამხ.-ისტ. შრომები მთავარი ნაშრომია 3-ტომიანი გამოკვლევა „ომის შესახებ“. კ-ის სამხ. თეორ. მემკვიდრეობამ მთელი ეტაპი შექმნა XIX ს. სამხ. აზროვნების განვითარებაში.

ლიტ. М а р к с К., Э н г е л ь с Ф., Соч., 2 изд., т. 21, с. 360; С в е ч и н А. А., Клаузевиц, М., 1935.

კლაუზიუსი (Clausius) რუდოლფ იულიუს ემანუელ (2. I. 1822, კესლინი, პომერანია, — 24. VIII. 1888, ბონი), გერმანელი ფიზიკოსი, თერმოდინამიკისა და სითბოს მოლეკულურ-კინეტიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა ბერლინის უნ-ტში (1840-იდან). 1850-57 ასწავლიდა ბერლინსა და ციურიხში. ციურიხის (1857-იდან), ვიურცბურგის (1867-იდან), ბონის (1869-იდან) უნ-ტების პროფესორი. კ-მა პირველმა გააანალიზა და განავითარა ნ. ლ. ს. *კარნოს* იდეები და მოგვცა *თერმოდინამიკის მეორე საწყისის* პირველი ფორმულირება. 1865 შემოიღო *ენტროპიის* ცნება და სხვ. ჩამოაყალიბა განტ. (1850), რ-იც დნობის ტემპ-რის ცვლილებას აკავშირებს წნევის ცვლილებასთან (*კლაპეირონ-კლაუზიუსის განტოლება*) და სხვ. იყო ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1868), პარიზის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1865).

ლიტ.: Р. Ю. Клаузиус (1822 — 1888), წგნ.: Выдающиеся физики мира, М., 1958.

კლაუზულა (ლათ. clausula — დასკვნა, დაბოლოება), რიტმული დაბოლოებანი პ რ ო ზ ა ს ა (ფრაზის კ.) და პ ო ე ზ ი ა შ ი (ტაეპის კ.). გარითმულ ტაეპში კ. სალექსო ტაეპის ბოლო მარცვალთა ჯგუფია უკანასკნელი მახვილიანი ხმოვნის (მარცვლის) შემდეგ და ქმნის უმთავრესად გარეგან რითმას. ანტ. ლექსთწყობაში კ. ეწოდებოდა აგრეთვე მოკლე ლექსს, რ-იც ჩართული იყო იმავე საზომიან გრძელ ლექსებს შორის; რ ი ტ ო რ ი კ ა შ ი კ. ეწოდება ტექსტის დასკვნით ნაწილს.

კლაუზულა, ხელშეკრულების სპეციალური დადგენილება (პირობა) ან დათქმა, რ-იც ერთვის ხელშეკრულებას. მაგ., კომპრომისული კ.—საერთაშ. ხელშეკრულების სპეც. დადგენილება, რ-იც შეიცავს მხარეთა ვალდებულებას, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა *არბიტრაჟით* გადაჭრან, და რ-შიც მოცემულია არბიტრაჟის შექმნის წესიც. ფართო მნიშვნელობით კ. იხმარება ამა თუ იმ სამართ. აქტის ყოველი ცალკე დადგენილების (პირობის) აღსანიშნავად.

კლაუზულა რებუს სიკ სტანტიბუსი (ლათ. Clausula rebus sic stantibus — ასეთ ვითარებაში), გარემოებათა უცვლელობის დათქმა. XIX ს-იდან ბოლო წლებამდე საერთაშ. სამართალში ფართოდ იყო გავრცელებული დოქტრინა, რ-იც ეყრდნობოდა რომის სამართ. პრინციპს — „ყოველი შეთანხმება გულისხმობს გარემოებათა უცვლელობას“ და ამტკიცებდა: საერთაშ. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას ამ ხელშეკრულებაზე, თუ შეიცვალა მისი დადების დროს არსებული გარემოებანი. საერთაშ. პრაქტიკაშიც იყო შემთხვევები, როცა სახელმწიფოები ამ მიზეზით უარს ამბობდნენ მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე; კერძოდ, საბჭ. სახელმწიფომ რამდენჯერმე მიუთითა ამ დათქმაზე. ამჟამად კ. რ. ს. ს-ის ნაცვლად იხმარება გამოთქმა „გარემოებათა ძირეული შეცვლა“. ვენის 1969 კონვენცია საერთაშ. ხელშეკრულებათა სამართ. შესახებ 62-ე მუხლში ადგენს, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას არსებულ გარემოებათა ძირეული შეცვლა, რაც მონაწილეებს არ გაუთვალისწინებიათ, შეუძლებელია მითითებულ იქნეს, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის თუ ხელშეკრულებიდან გამოსვლის საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და უდავო საფუძველი. მაგ., თუ გარემოებათა შეცვლის შედეგები ძირეულად ცვლიან იმ ვალდებულებათა მოქმედების სფეროს, რ-ებიც ჯერ კიდევ შესასრულებელია ხელშეკრულებით.

რ. დეკანოზოვი.

კლაუსონი ვალტერ [დ. 20. XII. 1913 (2. I. 1914), ახლანდ. დასახლება ტოლმაჩოვო, ლუგის რ-ნი, ლენინგრ. ოლქი], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტსკოლა (1965). ავტოსაგზაო ტექნიკუმის დამთავრების (1933) შემდეგ მუშაობდა ხიდების,

გზატკეცილებისა და რკინიგზის მშენებლობაზე. 1941 — 44 — ვოლხოვის, ჩრდ.-დას. და ბალტიისპირეთის ფრონტებზე ასეულის, ბატალიონის მეთაური იყო. 1944—53 მუშაობდა ესტ. სსრ გზატკეცილების სამმართველოს ორგანოებში; 1953 — 54 ესტ. სსრ საავტ. ტრანსპ. და გზატკეცილების მინისტრი. 1954 — 61 ესტ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილე. 1961-იდან—თავ-რე. პარტიის XXII—XXV ყრილობებზე აირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად. სსრკ V — X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

„კლდე“, ქართული ყოველკვირეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1912—15, რედ.-გამომცემელი—რ. გაბაშვილი. ჟურნალში სტატიებისა და წერილების გარდა დაბეჭდილია გი დე მოპასანის, ჯ. ლონდონის, ჯ. კ. ჯეროომის, ფ. კოპეს, ო. უაილდის, მ. ტვენის, ა. ფრანსის, ი. ვ. გოეთეს, ტ. შევჩენკოს და სხვა მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. მხატვრობა ეკუთვნის ო. შმერლინგს. 1915 მაისში ჟურნალი დაიხურა.

„კლდე“, ქართული ყოველდღიური გაზეთი, დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდიოდა თბილისში 1918—20. რედ.—გ. ვეშაპელი, გამომცემელი — დამოუკიდებელი ეროვნ.-დემოკრ. პარტიის მთავარი კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია. გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია მასალები ეროვნ.-დემოკრ. პარტიის გაყოფის შესახებ. 1919 გაზეთი გამოდიოდა ჯერ „სალი კლდის“, შემდეგ „პიტალო კლდის“ სახელწოდებებით.

კლდე, სოფელი ახალციხის რ-ნში, ახალციხის ქვაბულში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჰ., წნისი). ზ. დ. 1020 *მ*, ახალციხიდან 9 *კმ*. ახალციხის სახელმწ. სანერგე მეურნ.-ტექნიკუმი (მეხილეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კულტსახლი (კინოდანადგარი), ბ-კა, მუდაუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კლდებოძალი, უ კ ი ვ ლ ე თ ა, კლდოვანი მთა კავკასიონის სამხრ. ტოტზე—მდ-ების ჯეჯორისა და ქვედრულის წყალგაყოფზე. სიმაღლე 2212 *მ*. აგებულია ცარცული კირქვებით. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. ჰ-ის ჩრდ. კალთიდან ჩამოსულმა კლდეზვავმა 1896 შეაგუბა მდ. ქვედრულა და შეიქმნა ქვედის ტბა.

ლ. მარუაშვილი.

კლდეეთი, ზესტაფონის რ-ნის სოფლების *ზედა კლდეეთისა* და *ქვედა კლდეეთის* ძვ. სახელწოდება.

კლდეეთის სამაროვანი, II ს. არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ზედა კლდეეთში (ზესტაფონის რ-ნი). შემთხვევით აღმოაჩინეს 1941 და ნაწილობრივ გათხარეს 1941—42 (დ. ლომაძე). ქვაყრილიან ორმოსამარხებში დაკრძალული იყო თითო (ერთ შემთხვევაში წყვილი) მიცვალებული, გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დას-კენ. ზოგისთვის შეკაზმული ცხენები და ძაღლი ჩაეყოლებინათ. სამარხებში აღმოჩნდა მდიდრული მასალა: ჭურჭელი (თიხის შავპრიალა და წითლად გამომწვარი ჭურჭელი, მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოს ხელადა და პატერა, რ-საც ტარი ქვისაგან გამოთლილი ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით აქვს შემკული, ვერცხლის თასები), იარაღი (ბრინჯაოს კვერთხი და ჯაჭვის პერანგის ნაშთები, რკინის სამფრთიანი ისრისპირები, შუბისპირი, სატევრები, ცული და მახვილი, რ-ის კოტას ამკობს ოქროს ბუდეში ჩასმული სარდიონის გემა), მონეტები (გოტარზის დრაქმები, ავგუსტუსის დენარები, ნერვასა და ტრაიანეს კესარიული დიდრაქმები და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ადგილ. მინაბაძები), ბრინჯაოს, ვერცხლის, ელექტრუმისა და ოქროს სამკაული (საკისრე რკალები, სამაჯურები, ბეჭდები, მშვილდსაკინძები, ოქროს თავსამკაული და სხვ.). აღსანიშნავია ოქროს აგრაფი, რ-შიც ჩასმულია სარდიონის გემა — ჩაბალახისებური თავსაბურავი მამაკაცის პორტრეტი. ფიქრობენ, რომ მასზე გამოსახულია ადგილ. ქართვ. დიდებული, შესაძლოა ერისთავიც.

ჰ. ს-ში აღმოჩენილი მინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ჭურჭელი ძირითადად იმპორტულია. პოლიქრომული სტილის ოქროს ნივთები კი ადგილ. ნაწარმი უნდა იყოს. კლდეეთში დაკრძალული ჩანან ანტ. ხანის იბერიის წარჩინებულთა წრის წარმომადგენლები.

ლიტ.: ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., კლდეეთის სამაროვანი ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა, თბ., 1957. *ი. გაგოშიძე.*

კლდეთისი, თეთრი წყაროს რ-ნის სოფლების *დიდი კლდეთისისა* და *პატარა კლდეთისის* ძვ. სახელწოდება.

კლდეკარი, მწვერვალი და ხელოვნური კარის მსგავსი გასასვლელი თრიალეთის ქედის თხემზე, მდ-ების თეძმისა და ალგეთის წყალგამყოფზე. მანგლისის ჩრდ.-დას-ით 12 *კმ*-ზე, დაახლ. 2000 *მ* სიმაღლეზე. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებითა და ტუფბრექჩიებით. ჰ-ის მიდამოები შემოსილია ალპიური და შერეული ტყით. ჰ-ის მახლობლად ქედის თხემზე ციხესიმაგრის ნანგრევებია. *ლ. მარუაშვილი.*

კლდეკარი, ისტორიული ციხესიმაგრე *საქართველოში, თრიალეთში,* თრიალეთის ქედის კლდოვან მწვერვალზე (თეთრი წყაროს რ-ნი). შემორჩენილია ნანგრევები. მდებარეობდა მნიშვნელოვან გზასაყარზე, იქ, სადაც გაპობილი კლდე გასასვლელს ქმნის (აქედან სახელწოდებაც ჰ. ე. ი. კლდის კარი). ჰ-ის ციხე ააგეს მას შემდეგ რაც არგვეთელი ფეოდალი *ლიპარიტ I* ბაღვაში IX ს. 70-იან წლებში თრიალეთში გადავიდა. მომდევნო 2 საუკუნის მანძილზე *ჰ. კლდეკარის საერისთავოს* ცენტრი იყო. საქართვ. სამეფო ხელისუფლებამ, რ-იც ვერ ეგუებოდა *ბაღვაშთა* პოლიტ. სიძლიერის ზრდას, რამდენჯერმე ჩამოართვა მათ ჰ-ის ციხე. 1103 მეფე დავით IV აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ჰ-ში თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამიერიდან ჰ-ის ციხემ თანდათან დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959. *დ. ბერძენიშვილი.*

კლდეკარი, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ბალნარის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. სანდრიფშის ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, გაგრიდან 35 *კმ*. ბაღნარის კონსტიტუციის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. და საშ. სკოლები, ბ-კა, 2 კლუბი (2 კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი.

კლდეკარის საერისთავო, ადმ. ერთეული ფეოდალურ საქართველოში (IX ს. 80-იანი წწ. — 1103). „მატიანე ქართლისაჲ“ გადმოცემით, მისი დამაარსებელი და პირველი ერისთავი იყო ლიპარიტ ბაღვაში (*იხ. ლიპარიტ I*), ჰ. ს. მოიცავდა ატენის ციხეს, თრიალეთს, მანგლისხევს და საკურეთს (სკორეთს). კლდეკარის ერისთავების სამამულო სამფლობელო იყო არგვეთი (ზემო იმერეთი). ჰ. ს-ს აღმ-ით (ალგეთის და სკორეთის ხეობებში) ესაზღვრებოდა თბილ. საამირო. სამხრ.-აღმ-ით და სამხრ-ით—სამშვილდისა და ზორაკერტის რ-ნები, სამხრ.-დას-ით — ჯავახეთი, ლას-ით — სამცხე, ხოლო ჩრდ-ით — ქართლის საერისთავო, რ-საც ჰ. ს-გან თრიალეთის ქედი ჰყოფდა. კლდეკარის მფლობელის ხელში იყო ჯავახეთიდან თრიალეთზე გავლით ქართლში (ახლანდ. გორის რ-ნში) გადასასვლელი ერთადერთი გზა. ჰ. ს-ს მოსახლეობის შესახებ შემორჩენილია მხოლოდ სტეფანოზ ორბელიანის ცნობა, რომლის მიხედვით თურქებთან ბრძოლის დროს (1048 ან 1049—50) ბიზანტ. მხარეზე ლიპარიტ ბაღვაშის (*იხ. ლიპარიტ IV*) განკარგულებაში გამოცხადდა მისი ქვეშევრდომი 700 დიდი აზნაური და 16000 მეომარი. კლდეკარის ერისთავები ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ (*იხ. სტ. ბაღვაშები*).

ჰ. ს. საქართვ. ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტ. ბრძოლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და შექმნის უმალ აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში [როგორც ვარაუდობენ, აფხაზთა (დას. საქართველოს) გაძლიერებული სამეფოს მესვეურებმა გამოაძევეს კლდეკარის ერისთავების წინაპარი სამამულო სამფლობელოდან — არგვეთიდან]. იგი დიდ როლს თამაშობდა საქართვ. საშინაო და საგარეო პოლიტ. ცხოვრებაში. კლდეკარის ერისთავები ითვალისწინებდნენ საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსთან და შესაბამისად წარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას. საერისთავოს არსებობის მთელ მანძილზე ისინი ცენტრ. სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი ჩანან (მცირე გამონაკლისის გარდა). კლდეკარის ერისთავების ურჩობამ თავი იჩინა ჯერ კიდევ გაერთ. საქართვ. პირველი მეფის ბაგრატ III-ის (975—1014) დროს. ამ უკანასკნელის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა რატი ბაღვაში (*რატი I*), რ-საც ზურგს უმაგრებდნენ ქართლის დიდი აზნაურები. მეფემ ჯერ დიდი აზნაურები დაიმორჩილა, შემდეგ — რატი ბაღვაში (989), აიღო თრიალეთი კლდეკარის ციხითურთ და კლდეკარის ერისთავად რატი ბაღვაშის ძე ლიპარიტი დასვა. ჰ. ს. განსაკუთრებით მომძლავრდა XI ს. 30-იან წლებში, როცა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაგრატ IV-ის მცირეწლოვანების გამო ქვეყნის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. იგი ცენტრ. ხელისუფლებას ებრძოდა და თავისი მიზნების მისაღწევად არც გარეშე ძალის დახმარებას თაკილობდა. ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ (რ-მაც ორჯერ ჩაშალა ლიპარიტის მიერ ორგანიზებული ლაშქრობა თბილ. საამიროს შემოსაერთებლად), ლიპარიტმა ბიზანტიელები მოიშველია. კეისარი კი თავისი გეგმის განხორციელებას შეუდგა და ჰ. ს. საქართველოს წინააღმდეგ პლაცდარმად აქცია. 1058 მესხმა დიდებულებმა შეიპყრეს კლდეკარის ერისთავი და მეფეს მიჰგვარეს. ბაგრატ IV-მ ლიპარიტ ლიპარიტის ძე იძულებით შეაყენა ბერად და ამდენად ბიზანტიასაც გამოაცალა დასაყრდენი.

XI ს. 80-იან წლებში ჰ. ს. თურქ-სელჩუკების მხარეზე აღმოჩნდა. კლდეკარის ერისთავი ივანე ლიპარიტის ძე 1074 გიორგი II-ს განუდგა. მან კახელები დაიხმარა და ქსნისპირა ადგილები დაიკავა, ქ. გაგი გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს და საქართვ. მტერს — განძის ამირა ფადლონს—მიპყიდა, თვითონ კი საქართველოს ასაოხრებლად მოსულ „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს სულტანს, მალიქ-შაჰს, მორჩილებით ეახლა (ეს ნაბიჯი შემდგომში კლდეკარის ერისთავის მარცხით დამთავრდა).

XI ს. მიწურულს ჰ. ს. წინ აღუდგა დავით აღმაშენებლის ბრძოლას ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. 1093 ლიპარიტ ერისთავი (*იხ. ლიპარიტ V*) განუდგა მეფეს. დავით აღმაშენებელმა შეიპყრო იგი და მხოლოდ ცოდვის მონანიების შემდეგ გაათავისუფლა „მომტკიცებული მრავალთა



კლდეეთის სამაროვანი. ოქროს ბალთა. II ს. საქართველოს სახელმწ. მუზეუმი. თბილისი.

თრიალეთის კლდეკარი.

წითელფრთიანი კლდეცოცია.

დ. კლდიაშვილი.

ე. კლდიაშვილი.

ს. დ. კლდიაშვილი.



ს. გ. კლდიაშვილი.

და მტკიცეთა ფიცთა მიერ" („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"). როგორც ჩანს, ლიპარიტმა ფიცი გატეხა და საქართვ. მეფეს კვლავ გაუორგულდა. დავით აღმაშენებელმა ისევ შეიპყრო იგი 1094 და 2 წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამის შემდეგ ჰ. ს-ს სათავეში ჩაუდგა რატი ლიპარიტის ძე, რ-იც წინაპრების მგავსად სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ იბრძოდა. დავით აღმაშენებელმა უკიდურეს ზომას მიმართა — 1103 რატი ლიპარიტის ძის გარდაცვალების შემდეგ, გააუქმა ჰ. ს. და ერთიანი საქართვ. სამეფოს შეუერთა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., სტეფანოს ორბელიანის „ორბელთა ისტორიის" ზოგიერთი გამოცემის ნდობის საკითხისათვის, «ისკარი», 1972, №12; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965. *რ. მეტრეველი.*

კლდეცოცია (Tichodroma), ფრინველების გვარი ბელურასნაირთა რიგისა. შეიცავს ერთადერთ სახეობას — წითელფრთიან კლდეცოციას (T. muraria). ტანად მომცროა (160—175 *მმ*). თავი და ზურგი რუხი აქვს, ფრთების მფარავი ბუმბული— წითელი, მომქნევები — შავი, თეთრკოპლებიანი. წვრილი და გრძელი ნისკარტი რკალისებურად აქვს მოხრილი. მოგრძო თითები კარგად განვითარებული ბრჭყალებით ბოლოვდება. ჰ. ბინადრობს კლდოვან ადგილებში. საქართველოში გვხვდება სუბალპ. და ალპ. ზონებში. ზამთრობით შეიძლება დაბლობებშიაც გამოჩნდეს ფლატეებზე. ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალებში. დებს 3—4 კვერცხს. იკვებება მწერებითა და ობობებით.

მ. კუტუბიძე.

კლდიანი, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (მეხადირის სოფსაბჭო), აფხაზეთის მთიანეთში, მდ. მეხადირის ნაპირზე. ზ. დ. 380 *მ*, გაგრიდან 29 *კმ*. ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. მუხნარში (6 *კმ*). კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედუნქტი.

კლდიაშვილი დავით სამსონის ძე [29. VIII (11. IX). 1862, სოფ. სიმონეთი, ახლანდ. თერჯოლის რ-ნი, — 24. IV. 1931, იქვე, დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში], ქართველი მწერალი, საქართველოს სახალხო მწერალი (1930). დაიბადა იმერეთის გაღარიბებული აზნაურის ოჯახში. ბავშვობა გაატარა სიმონეთში და დედულეთში, სოფ. ხომულში (ახლანდ. წყალტუბოს რ-ნი), ბაბუამისის, აზნაურ ნიკო ღოღობერიძის ჯერ კიდევ წელმაგარ ოჯახში. ყრმობის ცხოველმა შთაბეჭდილებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მომავალი დიდი მწერლის შემოქმედების არეალი. 7 წლის ჰ. ქუთაისში რუსი ექიმის ოჯახში მიაბარეს რუს. ენის შესასწავლად. 1872 სახელმწ. ხარჯით გაიგზავნა კიევის სამხ. გიმნაზიაში, რ-ის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1880) მოსკ. სამხ. სასწავლებელი დაასრულა (1882). ამავე წლიდან სამხ. სამსახურში გააწესეს ბათუმში. მეფის რუს. არმიის ოფიცერი, უკომპრომისო, გულმხურვალე მამულიშვილი წლების მანძილზე უმწიკვლოდ იღვწოდა ქართვ. ერის საკეთილდღეოდ, დაკავშირებული იყო მოწინავე ინტელიგენციასა და რევოლუციურად განწყობილ მუშებთან და ჯარისკაცებთან; გ. ვოლსკისთან და ი. მესხთან ერთად ბათუმის საზ.-კულტ. საქმიანობის სულისჩამდგმელი იყო. 1905—07 რევ. შემდეგ არაკეთილსაიმედო პოდპოლკოვნიკი აიძულეს გადამდგარიყო სამხ. სამსახურიდან. 1908-იდან ჯერ ქუთაისში, მერე ჭიათურის შავი ქვის მრეწვ. სამმართველოში მუშაობდა. 1915 მობილიზაციით გაიწვიეს ოსმ. ფრონტზე. თურქეთში გადასახლებული ჭანების გამოსარჩლებისათვის მას სავალე სასამართლო მოელოდა, მაგრამ 1917 თებ. რევოლუციამ მოუსწრო და ჰ. დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, თუმცა უკვე ჯანგატეხილი და დაავადებული.

ჰ-ის პირველი მხატვრული თარგმანები 1885 ჟურნ. „თეატრში" დაიბეჭდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისად 1893 უნდა მივიჩნიოთ, როცა ჟურნ. „მოამბეში" ჰ-ის პირველი ორიგინ. მოთხრ. „შერისხვა" გამოქვეყნდა. სოც. ჩაგვრით, უმეცრებითა და ცრურწმენით მოცული სოფლის ფონზე ჰ-მა მძაფრი ტრაგიზმით დაგვიხატა გაუნათლებლობისა და სიხარბის მსხვერპლი — გლეხი კაცია საგუნაშვილი. ასევე ცრურწმენასა და მავნე ტრადიციებს შეეწირნენ მარინე და ფეფენა („მსხვერპლი", 1894). მოგვიანებით მწერალი დაუბრუნდა ამ თემას და მოთხრობა „მიქელაში" (1904) ასახა ოჯახის გადაშენების ფანატიკური შიშით შეპყრობილი მორწმუნე კაცის უნუგეშო ყოფა.

ჰ-ის პირველსავე მოთხრობებში გამოვლინდა მისი სამწერლო პრინციპი — ქართ. კლასიკური რეალიზმის ერთგულება, რითაც მან XIX ს. ახ. ქართ. პროზის დიდი ტრადიციები განავითარა.

ჰ-ის შემოქმედების მთავარი თემა — იმერეთის გაღარიბებული, ე. წ. „შემოდგომის აზნაურების" ცხოვრების მწუხრის ასახვა — პირველად გამოჩნდა მოთხრობა „სოლომან მორბელაძეში" (1894). ახ. საზ. ურთიერთობათა დამკვიდრებამ ეკონ. ნიადაგი გამოაცალა თავად-აზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებს. გაღარიბებული აზნაურების თავმომწონეობა სრულიად არ შეეფერებოდა რეალურ ვითარებას. სწორედ აქ დაინახა ჰ-მა თავისი „ცრემლნარევი სიცილის" სათავე; განწირული აზნაურების შინაგანი ტრაგიკული ბუნება მან გარეგნულად კომ. ფორმით გამოხატა, რამაც მის სამწერლო სტილს განუმეორებელი, მხოლოდ ჰ-თვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა მიანიჭა. გაღატაკებული, ზნეობრივად დაკნინებული აზნაური სოლომანი სასარგებლო შრომას თაკილობს და მაჭანკლობით შოულობს ორიოდე გროშს. სოლომანი თვითონ ებმება ტყუილების ბადეში, ასე გულდაგულ რომ მოამზადა. განუყრელ ჯორზე ამხედრებულ ხელმოცარულ მაჭანკალს ისღა დარჩენია „ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრების" წყევლით იჯერის გული. ახ. ვითარებას ალღო ვერ აუღო ბეკინა სამანიშვილმა, რ-იც ძვ. წარმოდგენებით ცხოვრობს (მოთხრ. „სამანიშვილის დედინაცვალი", 1897). მისი შვილი, უბრალო მიწის მუშად ქცეული პლატონი, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ოჯახს ცხოვრების სახსარი შეუნარჩუნოს. დაქვრივებული ბეკინას სურვილი მეორე ცოლის შერთვისა, რაც ქონების მოზიარის საშიშროებას უქმნის პლატონს, აიძულებს მას საკუთარი სადედინაცვლოს — ორნაქმარევი უშვილო ქალის მაძიებლის დამამცირებელი და კომ. როლი იკისროს. მოზიარის გაჩენა ადამიანურ სახეს უკარგავს გაშმაგებულ პლატონს. წარსულის მოგონებით, ილუზიებით სულდგმულობს მოხუცი ეკეირინეკი („ქამუშაძის გაჭირვება", 1900). მისი შვილი აზნაური ოტია ქამუშაძე, პლატონის მსგავსად, მუხლჩაუხრელად შრომობს, მაგრამ შიმშილისა და გაჭირვებისათვის თავი ვერ დაუღწევია. ქალაქელი მეუღლის სონიას დაჟინებული რჩევით, სასოწარკვეთილი ოტია ქალაქს მიაშურებს იმ იმედით, რომ იქ მაინც იპოვის ცხოვრების სახსარს. ამავე მოთხრობაში ჰ-მა „ახალი ცხოვრებისათვის დაგეშილი" გაქალაქებული აზნაურების პორფირე ბიაშვილისა და ბეგლარ ჯინჭარაძის ზნეობრივად დეგრადირებული სახეები დაგვიხატა. ერთ დროს წარჩინებული საგვარეულოს მანველიძეების ნაშიერი, სულიერად დაცარიელებული როსტომი უკიდურეს სიღატაკეში ელის თავისი ცხოვრების დასასრულს, „ყველაზე გულგატეხილი, ყველაფერზე გულდაწყვეტილი" („როსტომ მანველიძე", 1910). ცხოვრებისეული „უტყუარი მასალა", რ-საც მწერალი იყენებს, უნუგეშოა და უსასოო. მწერალი მწვავედ განიცდის ამ უნუგეშობას, ეძიებს გზებს ადამიანის სრულყოფისათვის, მისი ზნეობრივი განწმენდისათვის. განწირულ „შემოდგომის აზნაურებს" იგი წარმოგვიდგენს დიდი ჰუმანიზმით გამთბარი ტრაგიკული ინტონაციებითა და იუმორით; საერთოდ, ტრაგიკულისა და კომიკურის მონაცვლეობა ჰ-ის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რაც კათარსისისათვის არის მოწოდებული. მხოლოდ იშვიათად მიმართავს მწერალი მძაფრ, დაუნდობელ სატირას („ბაკულას ღორები", 1920).

ჰ-ის შემოქმედებაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს მის ადრინდ. მოთხრობას „წრფელი გული" (1896), რ-საც მწერლისათვის უწვეულო დიდაქტ. ელფერი ახლავს. მოთხრობაში ასახულ ყოფით კონფლიქტს, ე. წ. „სიყვარულის სამკუთხედს" ძლევს ქართველი ქალის კდემამოსილება.

ჰ-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. დრამატურგიაში. გულისმომკვლელი და სევდიანი სინამდვილე გამოხატა მან პიესებში „ირინეს ბედნიერება" (1897), „დარისპანის გასაჭირი" (1903) და „უბედურება" (1914), რ-ებიც მისი შემოქმედების მთავარ პათოსს—უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აზნაურის ტრაგიკულ სულისკვეთებას გადმოსცემენ. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა კომედია „დარისპანის გასაჭირმა", რ-იც დღესაც წარმატებით იდგმება ქართ. თეატრის სცენაზე. ტრაგიკული, მაგრამ მაინც ღიმილისმომგვრელი პიროვნებაა 4 გასათხოვარი ქალის მამა დარისპანი, რ-საც კარდაკარ დაჰყავს თავისი უფროსი ქალიშვილი კაროჟნა და უნიადაგო სიამაყესა და უადგილო ტრაბახს მაინც არ იშლის.

ჰ-ის შემოქმედებითი სტილისათვის დამახასიათებელია ის ძნელად მისაღწევი სისადავე და უბრალოება, რ-ის შექმნა მხოლოდ დიდ მწერალს ხელეწიფება. უნუგეშო, დეგრადირებული ყოფის აღწერით მწერალი აფხიზლებდა მკითხველს, ზნეობრივი სრულყოფისაკენ, უკეთესი მერმისის დამკვიდრებისაკენ მოუწოდებდა მას.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდგომ წლებში ჰ. დაუბრუნდა 1914-იდან შეწყვეტილ სამწერლო მოღვაწეობას. 1925 გამოაქვეყნა მოგონებები „ჩემი ცხოვრების გზაზე", რ-იც ქართ. მემუარული ლიტ-რის მშვენებაა. 1924—26 დაიბეჭდა ჰ-ის ახ. მოთხრობები „შუა ცეცხლის პირას" და „კიმოთე მეშველიძე". 1930 ქართვ. ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა ჰ-ის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე.

ჰ-ის მოთხრობათა პირველი კრებ. 1901 გამოიცა, მოთხრობათა ორტომეული—1911, რჩეული ნაწერების ორტომეული — 1926, თხზულებათა სრული კრებული 2 ტომად — 1933, 1935 და ა. შ.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1—2, თბ., 1952.

ლიტ.: ა ბ ა შ ი ძ ე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962; ა ს ა თ ი ა ნ ი ლ., წერილები ლიტერატურაზე, თბ., 1946; კ ი კ ნ ა ძ ე ვ., დავით კლდიაშვილის თეატრი, თბ., 1973; კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს., დავით კლდიაშვილი, თბ., 1945; ტ ა ბ ი ძ ე ტ., თხზულებანი სამ ტომად, ტ. 2, თბ., [1966]; ჭ ი ლ ა ია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972. *ს. ჭილაია.*

კლდიაშვილი ეფროსინე ქაიხოსროს ასული (1839, დ. ქვიშხეთი, ხაშურის რ-ნი,— 1913, თბილისი), ქართველი თეატრალური მოღვაწე და მსახიობი. ქუთ. პროფ. თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. დიდი ოსტატობით ასრულებდა კომედიურ და დრამ. როლებს: მართა (გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი"), ქეთევანი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი"), ლიზეტი (მო-

ლიერის „სიყვარული მკურნალობს"), კუკუშკინა (ნ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"), მედეა (ამავე სახელწ. სუფორინისა და ბურენინის დრამაში) და სხვ. თანამშრომლობდა ჟურნ. „ჯეჯილში". იყო წევრი ქართველ ქალთა ამხანაგობისა (1900), რ-მაც მ. დემურიას და ა. წულუკიძის თაოსნობით 1902, 1904 წლებში გამოსცა ქართ. ხალხ. ზღაპრები.

ლიტ.: ღ ვ ი ნ ე ფ ა ძ ე ნ., ეფრო კლდიაშვილი, თბ., 1958. *ნ. ღვინეფაძე.*

კლდიაშვილი სერგო დავითის ძე [დ. 6 (18). X. 1893, სოფ. ზედა სიმონეთი, ახლანდ. თერჯოლის რ-ნი], ქართველი საბჭ. მწერალი. დ. *კლდიაშვილის* ვაჟი. 1913 დაამთავრა ქუთ. გიმნაზია. I მსოფლიო ომის წლებში ერთხანს (1915—16) თან ახლდა მამას თურქ. ფრონტზე. ომის შემდეგ სწავლობდა მოსკ. უნ-ტის იურ. ფაკ-ტზე, აქ მოუსწრო 1917 ოქტომბრელის რევოლუციამ. ჰ. რევ. მოსკოვის მოვლენათა შუაგულში აღმოჩნდა. სამოქალაქო ომის დროს, 1917-ის დასასრულს დაბრუნდა საქართველოში. მისი პირველი პროზაული მინიატურები დაიბეჭდა 1911 თბილისის გაზ. „სინათლეში". 1916-იდან „ცისფერყანწელთა" ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტ. წევრი იყო. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე გადაჭრით დადგა რევ. მხარეზე. თავისი შემოქმედების მთავარ თემად აქცია ქართვ. ხალხის ცხოვრება მძაფრი ისტ. გარდატეხების დროს. ქართ. საბჭ. პროზის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო რომანი „ფერფლი" (1932), რ-იც მოიცავს საკმაოდ ვრცელ ეპოქას — I მსოფლიო ომის დღეებიდან სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვებამდე. მწერალმა გვიჩვენა ახ. ცხოვრების დამკვიდრების ძლევამოსილი, მაგრამ რთული და მტკივნეული პროცესი. რომანი „მყუდრო სავანეც" (1963) ახ., საბჭ. საქართველოს დაბადებას მიეძღვნა. აქ ნაჩვენებია გამძაფრებული ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. რომანი ყურადღებას იქცევს ღრმა ფსიქოლ. სიმართლით და ყოფის შესანიშნავი ასახვით.

ჰ-ის სახელს უშუალოდ უკავშირდება ქართ. საბჭ. ნოველის შექმნა. მწერალი ნოველის ჟანრის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ოსტატია. ფართო და მრავალფეროვანია მისი ღრმად პუმანური ნოველების თემატიკა — ის მოიცავს საქართვ. აწმყოსა და წარსულს. მწერლის ყურადღების ცენტრშია ადამიანი-შემოქმედი, ადამიანი-პატრიოტი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ჰ-ის ნოველები „ჭინკა ბიჭები", „ობოლდი", „გორგასალის თასი", „შემოდგომის წვიმა", „სეარფიტი", „ჯორდანო ბრუნო", „შორეული ციალი", მთელი ციკლი „სვანური მოთხრობებისა" და სხვ. ჰ-ისათვის დამახასიათებელი მსუბუქი და ლაღი იუმორი მსჭვალავს ვრცელ სათაგეგადასავლო მოთხრობას „აზნაურ ლახუნდარელის თავგადასავალი".

ჰ-მა დიდი ამაგი დასდო ქართ. საბჭ. დრამატურგიას. მისი პიესები „გმირთა თაობა" (1937), „ირმის ხევი" (1944) და „დაბრუნება" (1952) წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის სახ. და მარჯანიშვილის სახ. თეატრების სცენაზე. ჰ. ავტორია ვრცელი მოგონებებისა დიდ ქართვ. კლასიკოსებსა (ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დ. კლდიაშვილი და სხვ.) და თავის ლიტ. თანამოსაგრეებზე — პ. იაშვილზე, ტ. ტაბიძეზე, ვ. გაფრინდაშვილზე, ს. ცირეკიძეზე და სხვ. ჰ-ის თხზულებანი მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნებად. თარგმნილია რუს., სომხ., უკრ., აზერბ., პოლ., ჩეხ., ფრანგ., ინგლ., გერმ. და სხვ. ენებზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თხზ.: თხზულებათა კრებული ოთხ ტომად, თბ., 1971—78. *გ. ნატროშვილი.*

კლდიაშვილი სიმონ გრიგოლის ძე [2 (14). II. 1865, სოფ. ქვიშხეთი, ხაშურის რ-ნი, — 26. V. 1920, თბილისი], ქართველი არქიტექტორი. 1895 დაამთავრა ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი მოსკოვში. 1896—99 ქალაქის არქიტექტორად მუშაობდა სოხუმში. 1899 შეადგინა თბილ. სათავადაზნაურო სკოლის (ქართული გიმნაზიის, ახლანდ. თსუ-ის ძვ. შენობა) შენობის პროექტი და 1906-მდე ხელმძღვანელობდა მის მშენებლობას. 1902 კაპიტალურად გადააკეთა და ახ. ფასადით შეამკო ქობულაშვილების სახლი გრიბოედოვის ქუჩაზე (ახლანდ. სამხატვრო აკადემია). ააშენა მრავალი საცხოვრ. სახლი. მისი ნამუშევრები ეკლექტიზმის სტილის ტიპური ნიმუშია. გვხვდება რენესანსულ-ბაროკული ფასადებიც. ჰ. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. კულტურულ და საზ. ცხოვრებაში. 1902 ე. თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა საქართვ. სამხრ. რ-ნებში. გაზომა 20-მდე ძეგლი (ჩაისი, ვაშლობი, ამპური, ური, ერუშეთი, ჯვაკვეთის წყაროსთავი, გუგუბა და სხვ.), მ. შ. ადრინდ. ფეოდ. ხანის ქართ. ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი ნიმუში ბანა და მისი რეკონსტრუქციის პროექტიც შეადგინა. 1910 ე. თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება (1801—1917), [ტ.] 2, თბ., 1963. *ვ. ბერიძე.*

კლდისდუმა (Sedum), მცენარეთა გვარი მსუქანასებრთა ოჯახისა. ბალახები, ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქებია. აქვთ წვნიანი და ხორცოვანი ფოთლები. 500-მდე სახეობა იზრდება ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში, უმეტესად ევრაზიაში, რამდენიმე — სამხრ. აფრიკასა და სამხრ. ამერიკაში. სსრკ-ში 55-მდე სახეობაა, საქართველოში — 15; სახეობების მეტი წილი სუბალპ. და ალპ. სარტყლის ქვიან და კლდოვან ადგილებზე იზრდება. ხშირად გვხვდება მწვავე ფუნთუშა (S. acre), რ-იც პატარა და ფხვიერ კორდებს ქმნის, თაფლოვანია (მისი ფოთლების წვენი კანს წვავს და აწითლებს), კავკასიური ჰ. (S. caucasicum), აგრეთვე ფუნთუშა (S. pallidum), მსუქანა (S. stoloniferum) და სხვ. ჰ-ს ბევრი სახეობა დეკორატიულია; აშენებენ ბაღებში, ზოგს — ოთახებსა და ორანჟერეებში; იყენებენ კლდოვანი და ქვიანი ადგილების გასამწვანებლად.

კლდისავაშლა (Sempervivum), მცენარეთა გვარი მსუქანასებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახებია. 30-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, მცირე და წინა აზიაში, ჩრდ.-დას. აფრიკაში. იზრდება სუბალპ. და ალპ. სარტყლის ქვიან ფერდობებსა და კლდეებზე. სსრკ-ში, ძირითადად კავკასიაში, გავრცელებულია 11 სახეობა (საქართველოში 6, მ. შ. 2 კავკ. ენდემია და 2 — საქართველოსი). აშენებენ დეკორ. მცენარედ.

კლდისთავი, სოფელი ქარელის რ-ნში (ზღუდრის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1610 *მ*, ქარელიდან 25 *კმ*. ქარელის ი. სტალინის სახ. კოლბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ხეობაში (4 *კმ*).

კლდის იასამანი (Kentranthus longiflorus), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე კატაბალახასებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლეა 80 *სმ*. ფესვიდან ჩვეულებრივ რამდენიმე ღერო ამოაქვს. იკეთებს იასამნისფერ ყვავილებს. ყვავილობს მაისიდან ივლ. ბოლომდე. გავრცელებულია მცირე აზიასა და კავკასიაში. საქართველოში იზრდება ქართლის, მესხეთისა და იმერეთის ბარში კლდის ნაშალსა და ქვიან ფერდობებზე. ჰ. ი. ლამაზი დეკორ. მცენარეა, აგრეთვე გამოსადეგია გაშიშვლებულ ფერდობებზე გრუნტის გასამაგრებლად.

კლდის მხატვრობა, პეტროგლიფი, გამოქვაბულთა კედლებზე, ჭერზე, კლდეებზე თუ ცალკეულ ქვებზე შესრულებული უძველესი გამოსახულებანი. გვხვდება დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში და მიეკუთვნება სხვადასხვა ეპოქას — პალეოლითიდან შუა საუკუნეებამდე. პალეოლითის ხანის, ჰ. მ-ის ნიმუშები დიდი რაოდენობით გვხვდება სამხრ. საფრ. გამოქვაბულებსა და გროტებში (კომბარელი, მონტესპანი, ლასკო და სხვ.). ჭარბობს ბიზონების, ცხენების, მამონტების, მარტორქების ფიგურები, იშვიათია დათვის, გამოქვაბულის ლომის და სხვ. გამოსახულებანი. სსრკ ტერიტორიაზე პალეოლითური ჰ. მ-ის ნიმუშები ნაპოვნია *კაპოვის მღვიმეში* (ურალზე), სოფ. შიშკინოს კლდეებზე (ციმბირში მდ. ლენაზე). მკვლევართა აზრით, ჰ. მ-ს მაგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მისი შესრულების სტილი და ტექნიკა მრავალფეროვანია — გვხვდება კონტურული, ამოკაწრული, პოლიქრომული ნახატი (იყენებდნენ მინერ. საღებავებს), ბარელიეფი. აღმ. ესპანეთის, სამხრ. იტალიის, ჩრდ. აფრიკის (ტასილინ-აჯერი), ცენტრ. და აღმ. საჰარის მხატვრობაში ცენტრ. ადგილი უჭირავს ნადირობის, ბრძოლების, რიტუალების ამსახველ რთულ კომპოზიციებს. ჰ. მ. ფართოდ გავრცელდა ბრინჯაოს, განსაკუთრებით ადრინდ. რკინის ეპოქაში. სსრკ-ში ამ პერიოდის ჰ. მ. გვხვდება ევრ. ნაწილის ჩრდ-ით, ციმბირში (ენისეიზე, ლენაზე), ტუვაში, კავკასიაში, ყირიმში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში. ზოგჯერ სხვადასხვა ეპოქის ათასობით გამოსახულება მთლიანად ფარავს კლდეებს; ხშირად ძვ. ნახატი დაფარულია უფრო გვიანდელით (მაგ., *გობუსტანი* აზერბ. სსრ-ში, კობდო-სომონი მონღოლეთში და სხვ.). ამ პერიოდის ჰ. მ-ში გარეული ცხოველების, ნადირობის სცენების, მაგიური ნიშნების და სხვ. გვერდით გამოსახულია შინაური ცხოველები, მიწის დამუშავების პროცესი და სხვ.

საქართველოში აღსანიშნავია მღვიმეების (ზედა პალეოლითი) ჰ. მ. ჰ. მ-ის თვალსაჩინო ნიმუშები ნაპოვნია წალკის სამხრ.-დას-ით 10 *კმ*-ზე, სოფ. თაქ-ქილისის ამავე სახელწ. მდინარის მარჯვ. ნაპირზე, 1976. აქ თრიალეთის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. გაბუნია) მიაკვლია ამოკაწრულ, ხაზოვან-გეომ. პეტროგლიფებს, რ-ებზეც გამოსახულია ცხოველები — ცხენი, ირემი, ჯიხვი, მელია, შველი, აქლემი, ლომი და სხვ. აგრეთვე ფანტასტ. არსებანი, სხვადასხვა ხასიათის სცენები, ადამიანთა, მზის, ჯვრების გამოსახულებები, გეომ. ფიგურები. აღნიშნული ნახატები სხვადასხვა პერიოდისაა.

კლდისუბანი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (სადმელის სოფსაბჭო), მდ. რიცეულის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, ამბროლაურიდან 6 *კმ*. სადმელის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მეკვეხეობა). საშ. სკოლა სოფ. სადმელში (2 *კმ*).

ძველად ჰ. სოფ. სადმელის ერთი უბანი იყო. სოფელში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — კომპლექსი, რ-შიც შედის IX—X სს. დარბაზული ტიპის პატარა ეკლესია. მოპირკეთებულია სწორი ფენების ქვის კვადრებით, ნახევარწრიული აფსიდი მოქცეულია სწორკუთხედის ფარგლებში. ეკლესია ნათდება აფსიდისა და დას. მხარის ორი სარკმლით. გალავანში დგას მეორე მომცრო, ამავე ტიპის ეკლესია (X—XI სს.), რ-ის დეკორ. გაფორმება მწირია. გალავანი გვიანი ხანისაა, თუმცა ალაგ-ალაგ შეიმჩნევა ადრეული ფენაც. სოფელში შემორჩენილია აგრეთვე ფეოდ. ხანის ციხე-დარბაზი.

თ. ბერაძე. მ. დვალი.

კლდისუბანი, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (შუახევის სადაბო საბჭო), შავშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 380 *მ*, შუახევიდან 4 *კმ*. შუახევის სერგო ორჯონიკიძის

კლდისდუმა (Sedum involucratum): ა — ყვავილი; ბ-გინეცეუმი.

კლდისავაშლა (Sempervivum pumilum).

კლდის მხატვრობა. ზემოთ — ხარი-ბიზონი (ციმბირი, შიშკინო); ქვემოთ — ლოსი (ურალი, შავარდნის კლდეები — მდ. ტაგილის ნაპირზე).



კლდისუბანი. ციხე-დარბაზის ნანგრევები და კოშკი. შუა საუკუნეები.

პ. კ ლ ე ე. „სიკვდილი და ცეცხლი". 1940. სამხატვრო მუზეუმი, ბერნი.

ლ. კ ლ ე ნ ც ე. პრობილეები. მიუნხენი. 1846—60.

კლეოპატრა VII. კირქვა. I ს. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი.



რ. კ ლ ე ი ნ ი. ცენტრალური უნივერმაღის შენობა. მოსკოვი. 1908.

სახ. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. დაბაძველში (2 *კმ*).

კლდისწყარო, სოფელი ხაშურის რ-ნში (ალის სოფსაბჭო), ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთზე. ზ. დ. 800 *მ*, ხაშურიდან 10 *კმ*, ალის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. ნაბახტევში (3 *კმ*).

კლდისწყარო, სოფელი ხაშურის რ-ნში (წალვლის სოფსაბჭო), ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთზე. ზ. დ. 840 *მ*, ხაშურიდან 30 *კმ*. ალის მევენახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. წალვლში (2 *კმ*). კლუბი, ბ-კა.

კლდოვანი მთები (Rocky Mountains), მთათა სისტემა ჩრდ. ამერიკის კორდილიერების აღმ. ნაწილში, აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე. სიგრძე დაახლ. 3200 *კმ*, სიგანე 700 *კმ*-მდე. კ. მ. იყოფა ჩრდ., შუა და სამხრ. ნაწილებად. ჩრდ. ნაწილისათვის დამახასიათებელია გრძელი ქედები და მთათაშორისი ხეობები, რელიეფის მყინვარული ფორმები. შუა ნაწილში მრავალი მოკლე და მაღალი ქედი, მოსწორებული მწვერვალი, განიერი ტექტონ. დადაბლება და პლატოა. სამხრ. ნაწილშია ყველაზე მაღალი მთები — სანგრე-დე-კრისტო, 4386 *მ*; *მეწინავე ქედი*, 4351 *მ* და ქედი სავაჩი, 4399 *მ* (მთა ელბერტი, კ. მ-ის ყველაზე მაღალი მწვერვალი). კ. მ. ძირითადად ჩამოყალიბდა ლარამული დანაოჭების შედეგად. მთათა წარმოქმნა დღესაც გრძელდება. ქედების ღერძული ნაწილი უმთავრესად აგებულია არქეული კრისტ. ქანებით, აღმ. ქედები — პალეოზოური დანალექი ქანებით, მთისწინეთი და მთათაშორისი ქვაბულების ძირი — პალეოგენის, ნეოგენისა და ანთროპოგენის დანალექი და ვულკ. ქანებით. კ. მ. მდიდარია წიაღისეულით. პაჰა კონტინენტური, ზომიერია, სამხრ-ით — სუბტროპიკული, საკმაოდ მშრალი, თოვლის მიჯნა დაახლ. 4000 *მ*-იდან (სამხრ.) 2500 *მ*-მდეა (ჩრდ.). კ. მ-ში სათავე აქვს მდ-ებს: მისურის, რიო-გრანდეს, კოლუმბიას, კოლორადოს და სხვ. მთის ძირას, პლატოებზე, სტეპი და ტყესტეპია, ჩრდ-ით — ტაიგა; კალთებზე ჭარბობს ფიჭვისა და ლვიის მეჩხერი ტყეები, ჩრდ-ით — მუქწიწვოვანი ტაიგა; უფრო ზემოთ სუბალპ. და ალპ. მდელოებია. ცხოველებიდან ბინადრობს დათვი, გრიზლი, გარეთხა, რქასქელა ცხვარი, გრძელყურა ირემი; ნაკრძალებში— ბიზონი.

კლდოვანი ქედი, მეწინავე ქედი კავკასიონის ქედის ჩრდ. კალთის დას. და ცენტრ. ნაწილში. სიგრძე 375 *კმ*, სიმაღლე დასით 1200—1700 *მ*, აღმ-ით 3000 *მ*-მდე, მაქს. სიმაღლე 3646 *მ* (მთა ყარაკაია). კ. ძ. წარმოადგენს კირქვებით აგებულ კუესტას. სამხრ. კალთა ციცაბოა, ჩრდ.— დამრეცი. კ. ძ. დანაწევრებულია ცალკეულ მასივებად. უმაღლეს ნაწილში გვხვდება ძვ. გამყინვარების ნიშნები (კარები, მორენები). განვითარებულია კარსტი. ჩრდ.— კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით; სამხრ. კალთებზე ტყის ზევით მთის მდელოები და სტეპია.

კლდუ, სოფელი ქარელის რ-ნში (კეხიჯვრის სოფსაბჭო), ხრეკის მთის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 870 *მ*, ქარელიდან 8 *კმ*. კეხიჯვრის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კეხიჯვარში (3 *კმ*). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. სოფლის ტერიტორიაზე სამი ეკლესიის ნანგრევებია. მიკვლეულია აგრეთვე გვიანდ. ბრინჯაო — ადრინდ. რკინის ხანის კერამიკის ფრაგმენტები.

კლებერი (Kleber) ჟან ბატისტ (9. III. 1753, სტრასბურგი, — 14. VI. 1800, კაირო), ფრანგი გენერალი. მსახურობდა ავსტრ. არმიაში. 1789 შევიდა საფრ. ეროვნ. გვარდიაში. მაინცის დაცვაში (1793) თავის გამოჩენისათვის მიენიჭა ბრიგადის გენერლობა. 1793 ვანდეაში ამბოხების ჩახშობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ეგვიპტეპედიციის (1798—1801) დროს მეთაურობდა დივიზიას, ხოლო ნაპოლეონის წასვლის შემდეგ (1799 აგვ.) — საფრ. მთელ ჯარებს ეგვიპტეში. 1800 ჰელიოპოლისთან გაანადგურა ოსმ. არმია და მისი ნარჩენები ეგვიპტიდან განდევნა. მოკლა თურქმა ნაციონალისტმა.

კლებსიელოზი, სხვადასხვა სახეობის ცხოველის ინფექციური დაავადება. აღმძვრელია klebsiella — გვარის კაფსულიანი ბაქტერია. კ-ით დაავადებულ ღორებს ემართება მასტიტი; გოჭებს — რინიტი; ძროხებს — ცხელება და მასტიტი, ხბოებს— პნევმონია. კ-ით ავადდებიან აგრეთვე ფრინველები და გარეული ჩლიქოსნები. სსრკ-ში კ. არაა რეგისტრირებული.

კლეე (Klee) პაულ (18. XII. 1879, მიუნხენბუხზეე, ბერნის მახლობლად, —29. VI. 1940, მურალტო, ლოკარნოს მახლობლად), შვეიცარიელი ფერმწერი და გრაფიკოსი, ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ლიდერი. სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში (1898—1901). 1906—20 ცხოვრობდა მიუნხენში. მხატვრული გაერთიანება „ლურჯი მხედრის" წევრი. 1933-იდან ცხოვრობდა ბერნში. კ. ისწრაფოდა აბსტრაქტ. და ფანტასტ., უკიდურესად ინდივიდუალური ხელოვნებისაკენ. ძირითადი ნამუშევრები: „ყვითელი ჩიტებიანი პეიზაჟი", 1923; „პაგოდები".

კლეინი რომან ივანეს ძე [19 (31). III. 1858 — 3. V. 1924, მოსკოვი], რუსი არქიტექტორი. 1877—82 სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში. შემდეგ პარიზში (1884-მდე). პეტერბ. სამხატვრო აკად. აკადემიკოსი (1907). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1916—23). კ-ის ნამუშევრები ძირითადად ეკლექტიკური ხასიათისაა: ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნ. მუზეუმი (1898—1912), შუა სავაჭრო რიგები წითელ მოედანზე (1892), უნივერს. მაღაზია „მიური და მერილიზი" (ახლანდ. ცენტრ. უნივერმაღი, 1908), ბოროდინოს ხიდი (1912), ყველა მოსკოვში.

კლეისტოგამია (ბერძნ. kleistos—დახურული და gamos—ქორწინება), მცენარეთა თვითდამტვერვა და თვითგანაყოფიერება დახურულ ე. წ. კლეისტოგამიურ ყვავილებში. ამგვარ ყვავილებში ცოტა მტვერი გამომუშავდება ხოლმე. სამტვრეების გახსნისას მტვერი ეყრება ბუტკოს დინგს. იშვიათად მტვერი ღიედება სამტვრეშივე, მტვრის მილი გახვრეტს სამტვრის კედელს და ბუტკოში ჩაიზრდება. ზოგჯერ ისეთ მცენარეებში, რ-თაც ტიპური კლეისტოგამიური ყვავილები აქვთ, შეიძლება ჯვარედინი დამტვერვაც მოხდეს (მაგ., ზოგი ია).

კლემანი (Clément) რენე (დ. 18. III. 1913, ბორდო), ფრანგი კინორეჟისორი. თავდაპირველად ეუფლებოდა არქიტექტურულ ხელოვნებას. 30-იანი წლებიდან, როგორც კინომოყვარულმა, დაიწყო ექსპერ. ფილმების გადაღება. II მსოფლიო ომის დროს დაუკავშირდა ფრანგ რკინიგზელთა წინააღმდეგობის მოძრაობას. კ-ის საუკეთესო ფილმები ეძღვნება II მსოფლიო ომის თემატიკას: „ბრძოლა რელსებზე" (1946), „წყეულები" (1947), „აკრძალული თამაშები" (1952), „დღე და საათი" (1963). მასვე ეკუთვნის ცნობილი ფილმები „მალაპაგის კედლებთან" (1949), „ულრეზა" (1956, ე. ზოლას „ხაფანგის" მიხედვით) და სხვ. კ-ის ფილმებს არაერთხელ მიენიჭა საერთაშ. კინოფესტივალების საპატიო პრემიები.

ლიტ.: Лепроон П., Современные французские кинорежиссеры, пер. с франц., М., 1960.

ბ. დოლიძე.

კლემანსო (Clemenceau) ჟორჟ ბენჟამენ (28. IX. 1841, მუიერონ-ან-პარე,— 24. XI. 1929, პარიზი), საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. საფრ. აკად. წევრი (1918). *მეორე იმპერიის* დროს მონაწილეობდა რადიკალურ-რესპ. მოძრაობაში. 80-იან წლებიდან ბურჟ. რადიკალების ლიდერი. მომხრე იყო გერმ. წინააღმდეგ რევანშისტული ომისა. დეპუტატთა პალატაში და პრესაში გამოდიოდა საფრ. მმართველი წრეების კრიტიკით. ამ გამოსვლებმა გამოიწვია *გამბეტას*, ფერის და ბრისონის კაბინეტების დაცემა, რის გამოც კ-ს „სამინისტროების მნგრეველი" შეარქვეს, ხოლო პარლამენტში ტემპერამენტიანი და მკვახე გამოსვლებისათვის — „ვეფხვი". აქტიურად იცავდა ა. დრეიფუსს (იხ. *დრეიფუსის საქმე*). 1902 და 1909 იყო სენატის წევრი. 1906 მარტ-ოქტ. — შინაგან საქმეთა მინისტრი. 1906 ოქტ. 1909 ივლ. — მინისტრთა საბჭოს თავ-რე. I მსოფლიო ომის წინა წლებში ეწეოდა შოვინისტურ და მილიტარისტულ პროპაგანდას, ებრძოდა სოციალისტებს, აკრიტიკებდა თავისი პოლიტ. მეტოქეების *რ. პუანკარეს*, *ა. ბრიანის*, *ჟ. კაიოს* საშინაო და საგარეო პოლიტ. კურსს. 1917 ნოემბრიდან მინისტრთა საჭოს თავ-რე და სამხ. მინისტრი. ცდილობდა დიქტატორული რეჟიმის დამყარებას. იყო ანტისაბჭ. ინტერვენციის აქტ. ორგანიზატორი. პარიზის საზავო კონფერენციის (1919—20) თავ-რე და ამ კონფერენციაზე საფრ. დელეგაციის ხელმძღვანელი, *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* (1919) ერთ-ერთი ავტორი. ესწრაფოდა საფრ. იმპერიალიზმის სამხ.-პოლიტ. ჰეგემონიის დამყარებას ევროპაში.

კლემენტ ალექსანდრიელი (Clemens Alexandrinus) ტ ი ტ უ ს ფ ლ ა ვ ი უ ს (დაახლ. 150 — დაახლ. 215), ქრისტიანობის თეოლოგი და მწერალი. დაიბადა წარმართულ ოჯახში, მიიღო უნივერს. ფილოს. და ლიტ. განათლება. ქრისტიანობის ქადაგების გამო დევნილი ალექსანდრიიდან მცირე აზიაში გაიქცა. მისი მიზანი იყო ელინური ფილოს. და ქრისტ. რწმენის სინთეზი. კ. ა-ის რელიგ. იდეალი ინარჩუნებდა ანტ. ფილოს. ჰუმანიზმის თვისებებს. ტრაქტატებით „შეგონება ელინებს" და „პედაგოგი" კ. ა. აგრძელებს პოპულ.-ფილოს. ლიტ-რის ჟანრობრივ ტრადიციებს, ქრისტიანობას თვლის განმანათლებლურ მოძღვრებად. ჰიმნი ქრისტესადმი, რ-ითაც მთავრდება „პედაგოგი", ქრისტ. პოეზიის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. საერთოდ კ. ა-ის მიერ წარმოდგენილმა ქრისტიანობის ტიპმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი შუა საუკ. აზროვნებაში. მან თავი იჩინა მხოლოდ აღორძინების ეპოქის ე. წ. ქრისტ. ჰუმანიზმის ფილოსოფიაში (ერაზმ როტერდამელი, ტ. მორი).

ლიტ.: История философии, т. 1, М., 1940; Миртов Д., Нравственное учение Климента Александрийского, СПб., 1900.

კლემენტი (Clemens), რომის პაპების სახელი. **კ. V,** ერისკაცობაში ბ ერ ტ რ ა ნ დ ე გ ო (Bertrand de Got) (დ. წ. უცნობია, ვილანდრო, ბორდოს მახლობლად, — 20. IV. 1314, როკმორი), პაპი 1305—14. წარმოშობით ფრანგი. 1299-იდან ბორდოს არქიეპისკოპოსი. პაპად აირ-

ჩიეს საფრ. მეფის ფილიპ IV ლამაზის მხარდაჭერით, რ-ის სურვილით 1309 თავისი რეზიდენცია ავინიონში გადაიტანა (იხ. *ავინიონის ტყვეობა პაპებისა*). ფილიპ IV-ს 5 წლით გადასცა საფრანგეთში საეკლ. მეათედის აკრეფის უფლება. 1312 დაშალა ტამპლიერთა ორდენი.

ჟ. VI, ერისკაცობაში პიერ როჟე (Pierre Roger) (1291—1352, ავინიონი), ავინიონის პაპი 1342—52. წარმოშობით ფრანგი, ბენედიქტელთა ორდენის წევრი. იყო თეოლოგიის პროფესორი პარიზში. პაპად არჩევის შემდეგ დარჩა ავინიონში. ებრძოდა *კოლა დი რიენცოს*. მფარველობდა ხელოვნებისა და ლიტ. მოღვაწეებს. სარწმუნოების საკითხში იყო ლიბერალი, იცავდა ებრაელებს. ჟ. VI-მ 1349 თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა დომინიკელთა ორდენის წევრი ბერნარდო კოლეტი.

ჟ. VII, ერისკაცობაში გრაფი რობერ ჟენეველი (Robert de Genève) (1342—94), ანტიპაპი 1378—94. პაპად აირჩიეს ფრანგმა კარდინალებმა პაპი ურბან VI-ის საპირისპიროდ. იმყოფებოდა ავინიონში. პაპად ცნო მხოლოდ საფრანგეთმა, ესპანეთმა და შოტლანდიამ. მისი პონტიფიკაციით დაიწყო *დიდი განხეთქილება* კათოლ. ეკლესიისა (1378—1417). ჟ. VII-მ 1382 თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად გამოგზავნა თავისი მომხრე ფრანცისკელი ენრიკო რაცი (Henricum Ratz).

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის., ტფ., 1902

კლემენტი (Clementi) მუციო (23. I. 1752, რომი, — 10. III. 1832, ივშემი, ინგლისი), პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი, დირიჟორი. ეროვნებით იტალიელი. პიანიზმის ე. წ. ლონდონური სკოლის ფუძემდებელი. XIX ს. დასაწყისში დიდხანს მუშაობდა ევრ. ქვეყნებში (მ. შ. რუსეთში — 1802, 1804—05). ჟ. საფორტეპიანო სონატის კლასიკური ფორმის ერთ-ერთი შემქმნელია. პედ. რეპერტუარს შემორჩა მისი ეტიუდები (კრებ. „გზა პარნასისაკენ"). საკუთარი საშემსრულებლო და პედ. გამოცდილება ჟ-მ განაზოგადა ნაშრომში „მეთოდები ფორტეპიანოსათვის" (გამოიცა 1801). იყო რამდენიმე მუს. გამომცემლობისა და საფორტეპიანო ფაბრიკის მფლობელი.

კლემპერერი (Klemperer) ოტო (14. V. 1885, ბრესლაუ, ახლანდ. ვროცლავი, პოლონეთი, — 17. VII. 1973, ციურიხი), გერმანელი დირიჟორი. 1901-იდან სწავლობდა ჯერ მაინის ფრანკფურტში, შემდეგ — ბერლინში. იყო პრაღის, ჰამბურგის, სტრასბურგის, კელნის, ვისბადენის საოპერო თეატრების, ბერლინის „კროლ-თეატერის" (1927—31), ბერლინის სახელმწ. ოპერის (1931—33) დირიჟორი. 1933—39 ხელმძღვანელობდა სიმფ. ორკესტრს ლოსანჯელესში (აშშ), 1947—50 — ბუდაპეშტის საოპერო თეატრს. 1961—62 ცხოვრობდა ლონდონში. „კოვენტ-გარდენში" დადგა (დირიჟორი და რეჟისორი) მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა". გასტროლებს მართავდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (20—30-იან წლებში სსრკ-ში). ჟ. XX ს. ერთ-ერთი გამოჩენილი დირიჟორია. მისი ინტერპრეტაციები გამოირჩევა მასშტაბურობით, ავტორის ჩანაფიქრის ღრმა წვდომით. ჟ-მა დაწერა ოპერა „მიზანი", სიმფონიები, მელოდიები და სხვ.

კლენცე (Klenze) ლეო ფონ (29. II. 1784, შლადენი, ამჟამად ქვემო საქსონიაში, გფრ. — 27. I. 1864, მიუნხენი), გერმანელი არქიტექტორი. სწავლობდა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში. ჟერომ ბონაპარტისა (კასელი, 1808—13) და ბავარიის მეფის ლუდვიგ I-ის (მიუნხენი, 1815-იდან) კარის არქიტექტორი. მისი საქალაქთმშენებლო ნამუშევრები მიუნხენსა (1816-იდან) და ათენში (1839—51) გამოირჩევა საზეიმო და მკაცრი რეგულარულობით. ნაგებობებში (გლიპტოთეკა, 1816—30; ძვ. პინაკოთეკა მიუნხენში, 1826—36; ახ. ერმიტაჟი, ლენინგრადში, 1839—52) ჟ პედანტური სიზუსტით მშრალად იმეორებს ძვ. ბერძნ. ხუროთმოძღვრების მოტივებს.

კლეომენე (Kleomenēs), სპარტის მეფეების სახელი. **ჟ. I** (დ. წ. უცნობია — ძვ. წ. 487) სპარტის მეფე ძვ. წ. 520—490. იღვწოდა სპარტის გაძლიერებისა და საბერძნეთში მისი გავლენის განცოცხლებისათვის. დელფოს ორაკულის დახმარებით ცილი დასწამა სპარტის მეორე მეფეს, დემარატოსს, და სპარტიდან განდევნა. მისი ინტრიგა გამოაშკარავდა და იძულებული გახდა ჯერ თესალიაში, შემდეგ არკადიაში გაქცეულიყო. ბოლოს სპარტაში უბძეს, მაგრამ შეიშალა და თავი მოიკლა.

ჟ. II (ძვ. წ. 370 — ძვ. წ. 309), სპარტის მეფე. აგესილაე II-ის ძმა. **ჟ. III** (დაახლ. ძვ. წ. 260 — ძვ. წ. 219), სპარტის მეფე 235—221. რეფორმატორი. აგრძელებდა აგის IV-ის პოლიტიკას. წარმატებით ილაშქრა აქაველთა კავშირის წინააღმდეგ (დაამარცხა ლიკეასთან და ლევქტრასთან). გააუქმა ეფორების თანამდებობა, მოახდინა ვალების კასაცია, თანაბრად გაანაწილა მიწა; წარჩინებული *პერიეკების* ხარჯზე გაზარდა სპარტელ მოქალაქეთა რიცხვი, კვლავ შემოიღო ძვ. სპარტანული აღზრდის სისტემა. განაგრძობდა ბრძოლას აქაველთა კავშირის წინააღმდეგ. აიღო მანტინეა, ტეგეა, ფლიუნტი, არგოსი და სხვ. ჟ. III-ის რეფორმებმა ფართო მოძრაობა გამოიწვია პელოპონესის დემოსში, რ-იც მოითხოვდა მსგავსი რეფორმების გატარებას. სახ. მოძრაობით შეშინებული აქაველთა კავშირი (*არატე სიკიონელის* მეთაურობით) და მაკედონია გაერთ. ძალით გამოვიდა სპარტის წინააღმდეგ. ჟ. III დამარცხდა სელასიასთან ბრძოლაში (222/221), ეგვიპტეში გაიქცა და იქ დაიღუპა. მისი რეფორმები გააუქმეს.

ლიტ.: Бергер А., Социальные движения в древней Спарте, М.—Л., 1936.

კლეონი (Kleōn) (გ. ძვ. წ. 422), ძვ. საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე, ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის რადიკალური ფრთის ლიდერი. ტყავის საწარმოს მფლობელის შვილი. პოლიტ. ასპარეზზე გამოვიდა როგორც ათენის ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენელი და მეთაური. იყო ჯერ პერიკლეს (430), შემდეგ ნიკიას (429) პოლიტ. მეტოქე. როგორც ხუთასთა საბჭოს წევრი და შემდეგ (425—422) სტრატეგოსი, მტკიცედ და განუხრელად იღვწოდა ათენის გასაძლიერებლად. პელოპონესის ომის (431—404) დროს ხელში ჩაიგდო კ. სფაქტერია (425). 422 დასაწყისში ჯერ წარმატებით იბრძოდა სპარტის მხედართმთავარ ბრასიდას წინააღმდეგ თრაკიაში, შემდეგ დამარცხდა და დაიღუპა კიდეც (ამფიპოლისთან). ჟ. იყო დემოსის ბელადების (ე. წ. დემაგოგების, რ-ებმაც შეცვალეს არისტოკრატი ბელადები) პირველი წარმომადგენელი. ჟ-ისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი მისი თანამედროვე ისტორიკოსები თუკიდიდე და არისტოფანე და გვიანდ. ისტორიკოსები არისტოტელე და პლუტარქე.

კლეოპატრა VII (ბერძნ. Kleopatra) (ძვ. წ. 69—ძვ. წ. 30), ძვ. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი, მეფე პტოლემე XI-ის ასული, პტოლემე XII-ის და, მეუღლე და თანამმართველი. 48 ცოლ-ქმარს შორის ბრძოლა ატყდა ერთპიროვნული მმართველობისათვის. ჟ. სირიაში გააძევეს, მაგრამ მისი სილამაზით, ნიჭითა და განათლებით მოხიბლულმა იულიუს კეისარმა *ალექსანდრიის ომის* შემდეგ იგი ეგვ. ტახტზე დასვა (პტოლემე ბრძოლაში დაიღუპა). კეისრისაგან ჟ-ს შეეძინა ვაჟი —ცეზარიონი. კეისრის სიკვდილის შემდეგ ჟ. დაუახლოვდა და გაუმიჯნურდა (ბოლოს კიდევაც იქორწინა) მარკუს *ანტონიუსს*. ოქტავიანესა (*ავგუსტუსი*) და ანტონიუსს შორის გამართულ ბრძოლაში (აქციუმის კონცხთან, ძვ. წ. 31) ჟ. ეგვ. ფლოტით ეხმარებოდა ანტონიუსს. ანტონიუსის მარცხისა და თვითმკვლელობის შემდეგ ჟ-მ ოქტავიანეს მოხიბვლა ვეღარ მოახერხა: მას, როგორც ძვირფას ტყვეს, უნდა დაემშვენებინა ძლევამოსილი ოქტავიანეს ტრიუმფი. ჟ-მ დასწრო და თავი მოიკლა (ვეღარ დააკბენინა თავი). ჟ-ს სახე უკვდავყოფილია უ. შექსპირის და ბ. შოუს შემოქმედებაში; ჟ. რუბენსის და სხვ. მხატვრობაში.

წყარო: Плутарх, Сравнительные жизнеописания, т. 2, М., 1963.

ლიტ.: სანიკიძე ლ., რომის იმპერია, ნაკ. 1 (პრინციპატი), თბ., 1969; Franzero C. M., The life and times of Cleopatra, L., [1957]. *ლ. სანიკიძე.*

კლეპტომანია (ბერძნ. kleptō — ვიპარავ, ვიტაცებ და *mania*), პერიოდული, დაუძლეველი, ავადმყოფური სწრაფვა ქურდობისადმი; ფსიქიკის დარღვევის სიმპტომი, იმპულსური მოქმედების ერთ-ერთი სახე. გვხვდება უმეტესად ფსიქ. დარღვევებისა და ფსიქოპათიის დროს. ჟ. უანგარო ქურდობაა. მკურნალობენ ძირითად დაავადებაა.

კლერი (Clair) რენე (ნამდვ. გვარი შომეტი, Chomette) (დ. 11. II. 1898, პარიზი), ფრანგი კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, პოეტი, ჟურნალისტი, მსახიობი, საფრ. აკად. წევრი (1960). პირველი დამოუკიდებელი კინოკომედია „პარიზმა მიიძინა" გადაიღო 1923. მომდევნო ფილმი „ანტრაქტი" (1924) ფრანგ. კინომიმდინარეობა „ავანგარდის" გავლენით შექმნა. ჟ-ის შემდგომ ფილმებში სამყარო უმთავრესად რეალისტურადაა ასახული, თუმცა ზოგჯერ ფანტასტ. სიუჟეტებიც არის გამოყენებული („მოჩვენებითი მოგზაურობა", „მულენ-რუჟის აჩრდილი", 1925). მუნჯი კინოს საუკეთესო ფილმებია „ჩალის ქუდი" (1927) და „ორი მორცხვი" (1928). ჟ-ის საუკეთესო ხმოვანი ფილმები „პარიზის სახურავებ ქვეშ" (1930), „თავისუფლება ჩვენ" (1932) და „უკანასკნელი მილიარდერი" (1934), გამსჭვალულია კლერისეული გროტესკული ელემენტებითა და სოც. სატირით. აღსანიშნავია აგრეთვე ფილმები: „დიდი მანევრები" (1955), „პარიზის გარეუბანში" (1957), „მთელი ქვეყნის ოქრო" (1961). ჟ. ძირითადად თვითონვე წერს სცენარს თავისი ფილმებისათვის.

თხზ.: Сценарии и комментарии, М., 1969.

ლიტ.: ბრაგინსკაა, რენე კლერი, თბ., 1971.

რ. კლერი.

კადრი ფილმიდან „პარიზის სახურავებ ქვეშ". 1930. რეჟისორი რ. კლერი

კლერიკალიზმი (<გვიანდ. ლათ. clericalis—საეკლესიო), პოლიტიკური მიმართულება, რ-იც ისწრაფვის საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში წამყვანი როლი მიაკუთვნოს ეკლესიასა და სამღვდელოებას. კლერიკალური, ხოლო გარკვეულ პირობებში თეოკრ. მისწრაფებებიც არსებითად კლასობრივ-ანტაგონისტური საზ-ბების ყველა რელიგ. საეკლ. ორგანიზაციისთვისაა დამახასიათებელი. განსაკუთრებით აქტიურია კათოლ. ჟ. XIX ს. შუა წლებამდე დს. ევრ. ქვეყნებში ჟ. უმთავრესად ფეოდ.-არისტოკრ. წრეების ინტერესებს გამოხატავდა. აღმ. ქვეყნებში XX ს-შიც ჟ. უმთავრესად ამ წრეების ინტერესების გმომხატველია. იმპერიალ. ეპოქაში ჟ. მნიშვნელოვანწილად მონოპოლ. კაპიტალის იარაღი გახდა და აშკარად გამოხატული ანტიკომუნისტური ხასიათი აქვს. მთელ რიგ ბურჟ. ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, ისრაელი და სხვ.) ეკლესიისა და კათოლ. ორგანიზაციების გავლენის სფეროში მოექცა სკოლა; ეკლესია ერევა პოლიტ. ცხოვრებაში, ოჯახის, ქორწინების, ბავშვის აზღრდის საკითხებში. მსოფლიოს რევ. პროცესის განვითარებამ შეასუსტა ჟ-ის პოზიციები.

კლერკი (Clerk) ჯონ (1728—1812), ავტორი თხზულებისა იალქნიანი ფლოტის ტაქტიკაზე. ნაშრომში „ფლოტების მოძრაობა" (1782) ამტკიცებდა, რომ XVIII ს. შუა წლებში სახაზო ტაქტიკაზე დამყა-

რებული საზღვ. ბრძოლები ვერ აღწევდნენ გადამწყვეტ შედეგს. მან პირველმა სცადა თეორიულად დაესაბუთებინა საზღვ. ბრძოლის მანევრული ტაქტიკა. კ-ის მიმდევრებად ინგლ. ფლოტში მიიჩნევენ ჯ. ჯერვისსა და ჰ. ნელსონს, რუს. ფლოტში— გ. სპირიდოვსა და თ. უშაკოვს.

კლერკი (ფრანგ. clerc), 1. საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში — საქმის მწარმოებელი, სტაჟიორი, რ-იც ნოტარიუსად ემზადება. 2. ინგლისსა და აშშ-ში— მოსამსახურე სავაჭრო-სამრეწვ. საწარმოში, ნოტარიუსის ან ადვოკატის კანტორაში. 3. შუა საუკ. საფრანგეთსა და ინგლისში — სას. პირი.

კლერმონის საეკლესიო კრება 1095, საეკლესიო კრება, რ-იც მოიწვია პაპმა ურბან II-მ საფრანგეთის ქ. კლერმონში (ახლანდ. კლერმონ-ფერანი). კრებას ესწრებოდა კათოლ. სამღვდელოების მრავალი წარმომადგენელი და ბევრი საერო პირი (უმთავრესად ფრანგი დიდებულები და რაინდები). კ. ს. კ-მ ყველა ქრისტიანისათვის სავალდებულოდ აღიარა „ღვთო მშვიდობა", ეკლესიიდან განკვეთა საფრ. მეფე ფილიპ I (მან მიატოვა მეუღლე და 1092 ხელმეორედ იქორწინა). ურბან II-მ კრების დამთავრების შემდეგ, 26 ნოემბ. ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მუსლიმანთა წინააღმდეგ და მონაწილეებს აღუთქვა ცოდვების მორანიება, ვალებიდან განთავისუფლება და სხვ.

კლერმონ-ფერანი (Clermont-Ferrand), ქალაქი საფრანგეთში, მდ. ალიეს (ლუარის შენაკადი) ხეობაში. პიუი-დე-დომის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 157 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. რეზინის ნაკეთობათა (ავტომობილის სალტეები, ფეხსაცმელი, ტექ. რეზინა და სხვ.) დამზადების დიდი ცენტრი. ლითონდამუშავება და მანქანათმშ., საფეიქრო, პოლიგრ., ქალალდის, ქიმ., კვების მრეწველობა. უნ-ტი (დაარსდა 1810). არქეოლ. მუზეუმი. ჰ.-შ. ბ. *პასკალის* სამშობლოა. ქალაქის მახლობლად არის *კურორტი* რუაია.

კლერუქია (ბერძნ. Klēruchiai<klēros— მიწის ნაკვეთი და echō—ვფლობ), ძვ. ბერძნული სამხედრო-სამიწათმოქმედო დასახლება. აარსებდნენ დაპყრობილ, ანდა მოკავშირე ქვეყნებში უმიწაწყლო მოქალაქეების მიწით დასაკმაყოფილებლად და მოკავშირეებზე სამხ.-პოლიტ. კონტროლის განსახორციელებლად.

კლეფტები (ბერძნ. klephtes, სიტყვასიტყვით — ქურდები), ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ბერძენი პარტიზანი გლეხები. მიუხედავად დევნისა, XVII—XVIII სს-ში კ-ის მოძრაობა გაფართოვდა; XVII ს. დამლევს მთავრობა იძულებული გახდა ეცნო კ-ის ზოგიერთი რაზმი (იხ. *არმატოლები*) და დააკისრა მათ შინაგანი მცველების ფუნქცია. საბერძნ. 1821—29 ეროვნ.-განმათ. რევოლუციაში კ. და არმატოლები აჯანყებულთა მთავარ ძალას წარმოადგენდნენ. ბერძენმა ხალხმა მრავალი სიმღერა შექმნა კ-ის მამაცობაზე.

კლიაზმა, მდინარე რსფსრ მოსკოვისა და ვლადიმირის ოლქებში, მდ. ოკის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 686 *კმ*, აუზის ფართ. 42500 *კმ*². სათავე აქვს მოსკ. მაღლობზე, მიედინება მეშჩორის დაბლობზე. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 185 *კმ*-ზე 147 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრა შუა აპრილშია. კ-ის წყალს იყენებენ წყალმომარაგების მიზნით. მდინარის ზემოთში წყალსაცავებია. კ-ის სათავეების წყლის ძირითადი ნაწილი კვებავს მოსკ. სახ. არხს. სანაოსნოა შესართავიდან 120 *კმ*-ზე. კ-ის ნაპირზეა ქ-ები: შჩოლკოვო, ლოსინოპეტრთვსკი, ნოგინსკი, პავლოვსკი-პოსადი, ორეხოვო-ზუევო, სობინკა, ვლადიმირი, კოვროვი, ვიაზნიკი, გორობოველი.

კლივაჟი (ფრანგ. clivage — გახლეჩა, ატკეჩა), ქანის უნარი დეფორმაციის შემდეგ გაიხლიჩოს თხელ, ურთიერთპარალელურ ფირფიტებად, რ-ებიც შრეებრიობის სიბრტყის მიმართ ძირითადად ირიბად არიან ორიენტირებულნი. ტერმ. შემოიღო ინგლ. გეოლოგმა ა. *სეჯუიკმა* 1835.

კლივლენდი (Cleveland) სტივენ გროვერ (18. III. 1837, კოლდუელი, ნიუ-ჯერსის შტ., — 24. VI. 1908, პრინსტონი, ნიუ-ჯერსის შტ.), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე. განათლებით იურისტი. დემოკრ. პარტიის წევრი. 1885—89 და 1893—97 აშშ-ის პრეზიდენტი. მის დროს აღადგინეს ოქროს სტანდარტი (1893) და მიიღეს პროტექციონისტული ტარიფი (1894). კ-ის მთავრობა ატარებდა მკაცრ ანტიმუშურ პოლიტიკას. საერთაშ. საკითხებში *პანამერიკანიზმის* იდეის მიმდევარი იყო.

კლივლენდი (Cleveland), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ოჰაიოს შტატში, ნავსადგური ერის ტბის სამხრ. ნაპირზე, მდ. კაიაჰოგის შესართავთან. 660 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 2 მლნ. (1975). აშშ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწვ., საფინანსო და კულტ. ცენტრი.

კ. დაარსდა 1796. ქალაქის ზრდა XIX ს-ში დაკავშირებული იყო დიდ ტბებზე ნაოსნობის განვითარებასთან. ზემო ტბის რკინის მადნისა და პიტსბურგის ქვანახშირ-მეტალ. რ-ნების გზაზე მდებარეობამ კ. გადააქცია დიდ მეტალ. და მანქანათსაშ. ცენტრად.

კ. დიდი ტბების სისტემის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია (ტვირთბრუნვა 20 მლნ. ტ-ზე მეტი, წელიწადში). მასზე გადის მნიშვნელოვანი სარკინიგზო და საავტ. მაგისტრალები. აეროპორტი.

მრეწვ. მთავარი დარგებია: შავი მეტალურგია, ლითონდამუშავება, მრავალფეროვანი მანქანათმშ., ქიმ. მრეწვ., მედიკამენტების წარმოება. მნიშვნელოვანია აგრეთვე პოლიგრ., სამკერვალო, ხორცის მრეწველობა. ნავთობგადამუშავება. **უნ-ტი.**

კლიკის ჯვარი, VII—VIII სს. მიჯნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, *სამეკლესიანი ბაზილიკა*. მდებარეობს გორის რ-ნში, სოფ. მღებრიანის დას-ით 1 *კმ*-ზე, მდ. თეძმის მარცხ. მხარეს. ნაგებობა შედგება ერთ მწკრივად განლაგებული და ერთმანეთთან შესასვლელებით დაკავშირებული 3 ეკლესიისაგან. შუა ეკლესია დიდია, გვერდის ეკლესიები კი უფრო დაბალი. სამივე ეკლესიის საკურთხეველი გეგმით სწორკუთხაა. ნაგებია შირიმის ქვით. როგორც შიგნით, ისე გარედან მოკლებულია მორთულობას. მთავარი ეკლესიის ინტერიერში გრძივი კედლები 2 არათანაბარ ნაწილად იყოფა პილასტრებით, რ-თა წინა საფეხურებს ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღი, ხოლო მომდევნო საფეხურზე კედლის თაღებია გადაყვანილი.

ვ. დოლიძე.

კლიმატი (<ბერძნ. klima, ნათ. ბრ. klimatos — დახრილობა; იგულისხმება ძვ. ბერძენთა წარმოდგენა, რომ გეოგრაფიულ განედებზე ჰავის სხვადასხვაობის მთავარი მიზეზია დედამიწის ზედაპირის სხვადასხვაგვარი დახრილობა მზის სხივების მიმართ), ჰავა, მეტეოროლოგიური ელემენტების, ატმოსფეროს აეროზოლური და აირული შედგენილობისა და მათი შერწყმის მრავალწლიური რეჟიმი, რ-საც განაპირობებს მზის რადიაცია, ქვეფენილი ზედაპირის ხასიათი, ატმოსფეროს ცირკულაცია და ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. მრავალწლიურ რეჟიმში იგულისხმება ყველა მეტეოროლ. ელემენტის (რადიაცია, ტემპ-რა, სინოტივე, ქარი და სხვ.), ჰაერის აეროზოლური და აირული შედგენილობის (ბუნებრივი და ხელოვნური წარმოშობის სხვადასხვა მინარევები) ერთობლიობა მრავალ ათეულწლიანი პერიოდისათვის. კ-ის ცნება, რ-იც ადრე მხოლოდ დედამიწის ზედაპირის პირობებს გულისხმობდა, XX ს. შუა ხანებში გავრცელდა დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებზე (თავისუფალი ატმოსფეროს კ.), მიწისქვეშა სიღრუვეებზე (მღვიმის კ.) და ხელოვნურად შექმნილ გარემოზეც (დახურული სათაესის კ.); უფრო გვიან — პლანეტებსა და თანამგზავრებზე.

ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორებია: 1. მზის სხივური ენერგიის შემოსავალ-გასავალი; 2. ვერტ. თბო- და ტენგაცვლა ატმოსფეროში, ქვეფენილ ზედაპირზე და მათ შორის; 3. ხმელეთისა და წყლის განაწილება დედამიწის ზედაპირზე; 4. ატმოსფეროს ცირკულაცია (ჰაერის მასების გადაადგილება და მასთან ერთად სითბოს, ტენისა და მინარევების გადატანა); 5. ადამიანის სამეურნეო საქმიანობა (ქვეფენილი ზედაპირის სახის შეცვლა, ატმოსფეროს, ხმელეთის წყლების, ნიადაგისა და ოკეანეების გაჭუჭყიანება). კ-ზე გავლენას ახდენს ადგილის გეოგრ. გრძედი და განედი, სიმაღლე ზღვის დონიდან, რელიეფის ფორმა, აგრეთვე ქვეფენილი ზედაპირის თავისებურებანი (ნიადაგის მექან. შედგენილობა და ფიზ. თვისებები, მისი ტენიანობა, ზედაპირის მცენარეულობით, წყლით, თოვლით ან ყინულით დაფარულობის ხარისხი, მზის სხივების არეკვლის უნარი), ზღვის დინებები.

განარჩევენ მიკრო-, მეზო- და მაკროკლიმატს. მ ი კ რ ო კ ლ ი მ ა ტ ი ყალიბდება რელიეფის მცირე ფორმების არაერთგვაროვანი მოქმედი ზედაპირის (მცირე წყალსაცავები, ჭაობები, სარწყავი ფართობები, ნიადაგისა და მცენარეული საფარი) ფიზ. ხასიათის გავლენით. მ ე ზ ო კ ლ ი მ ა ტ ი განპირობებულია კ-ზე რელიეფის საშ. ფორმებისა და გეოგრ. გარემოს შედარებით მსხვილი კლიმატწარმომქმნელი კომპონენტების (დიდი წყალსაცავები, ტყის მასივები, ვრცელი ჭაობები და სხვ.) გავლენით. მ ა კ რ ო კ ლ ი მ ა ტ ი ეწოდება პლანეტური მასშტაბის ტერიტორიის კ-ს. მიკროკლიმატის კერძო გამოვლინებაა ფ ი ტ ო კ ლ ი მ ა ტ ი, ე. ი. მცენარეთა ან მათ ორგანოთა მიერ განპირობებული კ. (მაგ., ბალახის კ., ვარჯის კ.). განასხვავებენ აგრეთვე მ ც ე ნ ა რ ე თ ა კ-ს, როცა მცენარე კი არ განაპირობებს კ-ს, არამედ თვითონ არის გავრცელებული მისთვის, ხელსაყრელ კლიმ. პირობებში (მაგ., სიმინდის კ., ხორბლის კ., ვაზის კ., ტყის კ., ტუნდრის კ., სტეპის კ.). XX ს. II ნახევრიდან პოპულარული გახდა ქ ა ლ ა ქ ი ს კ. — მეზოკლიმატის კერძო გამოვლინება, რ-იც განპირობებულია დიდი ქალაქის გავლენით კ-ზე. ჰ ა ე რ ი ს მ ი წ ი ს პ ი რ ა (ან წ ყ ა ლ ზ ე დ ა) ფ ე ნ ი ს კ. — იგულისხმება დედამიწის ზედაპირის მიმდებარე ატმოსფეროს ფენა საშ. 1000 *მ* სიმაღლემდე; თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა ტ მ ო ს ფ ე რ ო ს კ. — იგულისხმება სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ჰაერის ფენების კ.

მეცნ. წარმოდგენა კ-ის შესახებ იქმნება ხმელეთსა და ოკეანეში განლაგებულ ჰიდრომეტეოროლ. სადგურთა და საგუშაგოთა ქსელში მიმდინარე მეტეოროლ. დაკვირვების მასალის სტატისტ. დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე. ასეთი სადგურების საერთო რიცხვი დედამიწაზე რამდენიმე ათეული ათასია (საქართველოში 400-მდე სხვადასხვა თანრიგის სადგური და საგუშაგოა). თავისუფალ ატმოსფეროში კ-ის მაჩვენებლებს აკვირდებიან *ბურთ-პილოტების*, რადიოზონდების, რადიოლოკატორების, საფრენი საშუალებების, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმ. ლაბორატორიების მეშვეობით (იხ. სტ. *აეროლოგიური ხელსაწყოები*).

კ-ის შესასწავლად საჭირო დაკვირვების წელთა რიცხვი დამოკიდებულია მოცემული ტერიტ. ამინდის ცვალებადობაზე წლიდან წლამდე. მაგ., სუბტროპ. და ზომიერ განედებში ეს რიცხვი 25-იდან 50 და მეტ წლამდე მერყეობს; ტროპიკებსა და ეკვატორზე შეიძლება ნაკლებიც იყოს (ტემპ-რის წელთაშორისი ნაკლებცვალე-

ბადობის გამო) ან უფრო მეტიც (ნალექების წელთაშორისი დიდი ცვალებადობის გამო). ჰ-ის უფრო ღრმად შესასწავლად, გარდა ჰიდრომეტეოროლ. სადგურებისა, დედამიწის სხვადასხვა წერტილში იქმნება დროებითი პუნქტები, სადაც მიმდინარეობს დაკვირვება ერთიდან რამდენიმე წლის განმავლობაში. დაკვირვების შედეგები მიიყვანება ძირითად სარეპერო სადგურთა გრძელრიგიან მონაცემებთან.

დედამიწის არსებობის მანძილზე ჰ. მუდამ იცვლებოდა. ცვლილებათა რიცხვი იზრდება განედის მატების შესაბამისად. ყველაზე ნაკლებად იცვლებოდა ტროპ. სარტყლისა და დაბალი განედების ჰ. უფრო ხშირი იყო ცვლილება ჩრდ. ნახევარსფეროს სუბტროპ., ზომიერ და არქტიკულ სარტყლებში. სამხრ. ნახევარსფეროში კლიმ. ცვლილება ნაკლებადაა აღნიშნული, რადგან, ისე როგორც დღეს, გეოლ. წარსულშიც ს. გ. 40°-ის სამხრ-ით მუდამ ჭარბობდა წყლის ზედაპირი. ვულკ. აქტივობა, რ-იც სხვადასხვა ინტენსივობით ვლინდებოდა დედამიწის გეოლ. ისტორიის მანძილზე, სხვადასხვაგვარად მოქმედებდა ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე, დედამიწის ორბიტის ელემენტებზე, მზის რადიაციის ინტენსივობაზე დედამიწის ზედაპირზე და არსებითად ცვლიდა ჰ-ს. დადგენილია, რომ წარსულ გეოლ. ეპოქებში დედამიწის ჰ. უფრო თბილი და მდგრადი იყო, ვიდრე ანთროპოგენურ პერიოდში. თუმცა ჰ-ის დიდი ცვლილებები, რ-ებიც იწვევდა დედამიწის მნიშვნელოვანი ნაწილის გამყინვარებას, ადრეც ხდებოდა— დაახლ. 2 მლრდ., 500, 250 და 20 მლნ. წლის წინათ. აღსანიშნავია, რომ 250 მლნ. წლის წინანდელი გამყინვარების ნიშნები მიკვლეულია ტროპიკებში, ხოლო პოლარულ მხარეებში იმ დროს ყინული არ ყოფილა. ანთროპოგენურ პერიოდში პოლარულმა მხარეებმა განიცადა მძლავრი კონტინენტური გამყინვარება. ჩრდ. ნახევარსფეროში ყინულის საფარი სამხრ-ით ჩ. გ. 50°-მდე ეწვეოდა, უფრო დაბალ განედებში კი გამყინვარება მხოლოდ მთის სისტემებს შეეხო. ამ დროს ყინულით იყო დაფარული დედამიწის ფართობის 14% (ახლანდ. 6%-ის ნაცვლად). მყინვარების უკანასკნელი უკანდახევა დამთავრდა დაახლ. 11—10 ათ. წლის წინათ. მუდმივი ყინულსაფარი დარჩა მხოლოდ ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში კ. გრენლანდიაზე, არქტიკული აუზის სხვა კ-ებზე, ანტარქტიკასა და მთის ნივალურ სარტყლებში.

უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ ჰ. შედარებით ნაკლებად იცვლება, მაგრამ უფრო მერყეობდა დაახლ. 500 წლის განმავლობაში (ძვ. წ. ბოლოს). ატმ. ნალექების რაოდენობა დედამიწაზე საგრძნობლად გაიზარდა და ჰ. უფრო გრილი გახდა. ახ. წ. დასაწყისში იგი უკვე თანამედროვე ჰ-ის მსგავსი იყო. XII—XIII სს-ში ჰ. უფრო რბილი და მშრალი იყო, ვიდრე ახ წ. დასაწყისში. XV—XVII სს-ში კვლავ აცივდა და ზღვის გაყინულობამ იმატა; XVII ს-იდან XIX ს. შუა ხანებამდე ჰ. შედარებით ნოტიო და ცივი იყო. XIX ს. II ნახევრიდან დაიწყო ათბობა, რ-მაც 1940-იან წლებში მაქსიმუმს მიაღწია. ამ პერიოდში განსაკუთრებით ინტენს. ათბობა აღინიშნა მაღალ განედებში ზამთრის თვეებში. 1940-იანი წლებიდან დაიწყო აცივება, რ-იც 60-იან წლებში ისევ ათბობით შეიცვალა. აღსანიშნავია, რომ ზღვის დონესთან ახლოს და მაღალ მთაში ჰ-ის შიგასაუკუნეობრივი ცვლილება შეიძლება არაერთნაირი და ზოგჯერ საწინააღმდეგოც კი იყო. მაგ., თბილისში (ზ. დ. 404 *მ*) XIX ს. II ნახევრიდან აღინიშნება ჰ-ის ძალიან მცირე ათბობა, მაშინ როცა გუდაურში (ზ. დ. 2200 *მ*) ნათლად გამოიხატა აცივება. ამ მოვლენას ადგილი აქვს დედამიწის სხვა ნაწილებშიც (თ. დავითაია, 1964 და სხვ.).

ჰ-ზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანი. ამ შემთხვევაში ჰ-ის ცვლილება მიმართულია და არა რყევადი. წიაღისეული საწვავიდან (ქვანახშირი, ნავთობი, აირი და სხვ.) ენერგიის გამომუშავებით ადამიანს გარემომცველ გარემოში შეაქვს 0,02 *კალ/სმ²·წთ* დამატებითი სითბო. მზისგან მიღებულ სითბურ ენერგიასთან (49 *კალ/სმ²·წთ*) შედარებით ეს სიდიდე თუმცა უმნიშვნელოა, მაგრამ ის ყოველწლიურად 6%-ით იზრდება და მალე მისი შესადარისი გახდება (მ. ბუდიკო). წვის შედეგად თბოენერგიის გამომუშავებასთან ერთად აუცილებლად იხარჯება ატმოსფეროს თავისუფალი ჟანგბადი, რ-იც უერთდება ნახშირბადს და წარმოიქმნება CO_2. თანამედროვე შეფასებით, თავისუფალი ჟანგბადის აბსოლ. რაოდენობა ბუნებაში შემცირებულია 0.02%-ით, ხოლო მისი შეფარდებითი შემცველობა ჰაერში დაკლებულია 0,004%-ზე მეტად (თ. დავითაია, 1969 და სხვ.). თავის მხრივ CO_2-ის შემცველობა ჰაერში გაზრდილია დაახლ. 15%-ით. ეს სიდიდეები ჯერჯერობით ყოველწლიურად 6%-ით იზრდება, პერსპექტივაში კი მოსალოდნელია უფრო მეტადაც გაიზარდოს. ეს ტენდენცია უარყოფით გავლენას ახდენს ჰ-ზე. CO_2-ის გაზრდა ხელს უწყობს დედამიწის გრძელტალღოვანი გამოსხივების შემცირებას და მისი ტემპ-რის აწევას, რაც იწვევს გარემოს ე. წ. „სითბურ გაჭუჭყიანებას". ატმოსფერის თბოშემცველობის ცვლილების მიზეზია აგრეთვე ჰაერის დამტვერიანება ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად (მცენარეული საფრის მოსპობა, ნიადაგის უსისტემო დამუშავება, მრეწვ., ენერგეტ., ტრანსპ. და სხვა დარგების განვითარება). ჰ-ის გაუარესების თავიდან აცილება შესაძლებელია მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემის გეგმაზომიერი განხორციელების გზით. გარდა ამისა, ადამიანს შეუძლია ხელი შეუწყოს ჰ-ის გაუმჯობესებას ტყეების, მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებით, მცენარეული საფრის გაზრდითა და გამდიდრებით, ჭაობის ამოშრობით, მორწყვით, ვრცელი ტერიტ. გაწყლოვანებით, ოკეანეების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებით და სხვ. ადამიანის სამეურნეო საქმიანობის კავლენა მიკრო- და მეზოკლიმატის ცვლილებაში ვლინდება.

ჰ-ის კლასიფიკაციებს შორის ყველაზე გავრცელებულია გერმ. მეცნ. ვ. კეპენის, ლ. *ბერგისა* და ბ. ალისოვის კლასიფიკაციები. ვ. კეპენის კლასიფიკაციაში ჰ-ის ძირითად ტიპებად და ქვეტიპებად დაყოფის დროს ეთვალისწინებულია ჰაერის ტემპ-რისა და ატმ. ნალექების სხვადასხვაობა. ლ. ბერგის კლასიფიკაციაში—ლანდშაფტური ზონები. ბ. ალისოვმა გაითვალისწინა ორი ძირითადი კლიმატწარმომქმნელი ფაქტორი: მზის რადიაცია და ატმოსფეროს ცირკულაცია. ჩრდ. და სამხრ. ნახევარსფეროში მან გამოყო 4 ძირითადი — ეკვატორული, ტროპ., ზომიერი, არქტიკული (ანტარქტიკული სამხრ. ნახევარსფეროში) და 3 გარდამავალი — სუბეკვატორული, სუბტროპ. და სუბარქტიკული (სუბანტარქტიკული) კლიმ. სარტყელი. ეკვატორულ სარტყელში იგი განასხვავებს ჰ-ის ორ ძირითად ტიპს: კონტინენტურსა და ოკეანურს; სამ დანარჩენ სარტყელში — ოთხ-ოთხს: კონტინენტურს, ოკეანურს, დას. სანაპიროსა და აღმ. სანაპიროსას.

დედამიწაზე არსებობს ჰ-ის შემდეგი ძირითადი სახეობები:

ეკვატორული ჰავა მოიცავს დაბალი ატმ. წნევის ზოლს, რ-იც ჩრდ. და სამხრ. განედებს 5—10°-მდე ვრცელდება. მისთვის დამახასიათებელია ჰაერის მაღალი ტემპ-რა მთელი წლის განმავლობაში (24—28°C), ჰაერის მუდამ მაღალი ტენიანობა, უხვი ნალექები (1—3 ათ. წელიწადში, ზოგან 6—10 ათ. *მმ*-იც) და შედარებით წყნარი ამინდი. იცის თავსხმა წვიმები. გავრცელებულია ნოტიო ეკვატორული ტყეები.

ტროპიკული ჰავა ყალიბდება მაღალი ატმ. წნევის არეებში. აქ ოკეანის ზედაპირზე გაბატონებულია *ჰასატები*. დამახასიათებელია წლის განმავლობაში მშრალი და ნოტიო პერიოდების მორიგეობა. ზაფხულის თვეების საშ. ტემპერებია 20—27°C, ზამთრის 10—15°C-მდე ეცემა. ნალექები წელიწადში 500—2000 *მმ* შორის მერყეობს. ამ არეში, განსაკუთრებით ხმელეთზე ტროპ. უდაბნოთა ჰავაა, იცის მეტად მშრალი ზაფხული. ჰაერის მაქს. ტემპ-რაა 57—58°C, ზამთრის თვეების საშ. ტემპ-რებია 10—15°C. ტემპ-რათა დღეღამური ამპლიტუდა ზოგან 40°C-ზე მეტია, ნალექები 50—100 *მმ*-ზე ნაკლებია წელიწადში. მცენარეთა ზრდა-განვითარება, თუ ტენი საკმარისი რაოდენობითაა, უწყვეტია მთელი წლის მანძილზე.

სუბტროპიკული ჰავა გარდამავალია ტროპიკულსა და ზომიერი განედების ჰავას შორის. დამახასიათებელია ორი სავეგეტაციო პერიოდი—თბილი და ცივი. თბილ პერიოდში ტროპ. მცენარეებიც ხარობს, ცივში — მხოლოდ ზომიერი სარტყლის მცენარეულობა იზრდება. ყველაზე ცივი თვის საშ. ტემპ-რა 2-იდან 18°C-მდე მერყეობს. მაქს. ტემპ-რა 50°C აღწევს, მინ. —20°C-მდე ეცემა. ატმ. ნალექები წლის განმავლობაში 100 *მმ*-იდან (მშრალი სუბტროპ. ჰავა) 4000 *მმ*-მდე (ნოტიო სუბტროპ. ჰავა) მერყეობს, უდაბნოებში 50 *მმ*-მდე ეცემა.

ზომიერი განედების ჰავა გავრცელებულია სუბტროპიკებიდან სუბარქტიკამდე. დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ვეგეტაციური პერიოდი და მოსვენება; კარგადაა გამოხატული გარდამავალი სეზონები (გაზაფხული, შემოდგომა). კონტინენტების დას. ნაწილებში ჰავა შედარებით რბილი და ნოტიოა, ხმელეთის შიგნით ზაფხული თბილია, ზამთარი — ძალზე ცივი (მაგ., იაკუტიაში ჰაერის მაქს. ტემპ-რა 35°C-ზე მაღალია, მინ. —70°C-ზე დაბალი). ატმ. ნალექები წლის განმავლობაში 500—1000 *მმ*-მდე მერყეობს, უდაბნოებში 50 *მმ*-მდე ეცემა, მერიდიანული ქედების დას. კალთებზე კი 5000 *მმ* აღემატება (კორდილიერები, ანდები).

ხმელთაშუა ზღვის ჰავა გარდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისა გავრცელებულია ყირიმის სამხრ. ნაპირზე, დას. კალიფორნიაში, სამხრ. აფრიკაში, სამხრ.-დას. ავსტრალიაში და სხვ. დამახასიათებელია ცხელი და მშრალი ზაფხული და ცივი და ნოტიო ზამთარი. ზაფხულის საშ. ტემპ-რებია 20—25°C, ზამთრისა 5—10°C. ნალექები 400—600 *მმ* წელიწადში.

მუსონური ჰავა დაკავშირებულია მუსონების პერიოდულ ცვლასთან. გავრცელებულია ინდოეთში, ინდოჩინეთში, სამხრ. ჩინეთში, ჩრდ. ავსტრალიაში, აღმ. აზიაში, მ. შ. საბჭ. შორეულ აღმოსავლეთში. ზამთარი შედარებით ცივი და მშრალი იცის, ზაფხული — თბილი, ნოტიო და უხვნალექიანი. მაგ., კალკუტაში ნალექების წლიური რაოდენობა 1700 *მმ*, ჩერაპუნჯიში (სამხრ.-აღმ. ინდოეთი) კი 12000 *მმ* (დაახლ. 70% მოდის ივნის-სექტ-ში).

ლიტ.: კეპენი ვ., კლიმატოლოგიის საფუძვლები, თბ., 1935; Агроклиматический атлас мира, под ред. И. А. Гольцберг, М.—Л., 1972; Атлас теплового баланса земного шара, под ред. М. И. Будыко, М., 1963; Берг Л. С., Основы климатологии, 2 изд., Л., 1938; Брукс К., Климаты прошлого, пер. с англ., М., 1952; Будыко М. И., Климат и жизнь, Л., 1971; Воейков А. И., Климаты земного шара, в особенности России, Избр. соч., т. 1, М.—Л., 1948; Давитая Ф. Ф., Атмосфера и биосфера — прошлое, настоящее, будущее, Л., 1975; Мисиэ, Некоторые аспекты влияния подстилающей поверхности на мезомасштабные атмосферные процессы, «Известия АН СССР. Серия географическая», 1972, № 6; Дави-

тая Ф. Ф., Дроздов О. А., Проблемы горной климатологии, Тб., 1969; Климатический атлас СССР, т. 1—2, под ред. Ф. Ф. Давитая, М., 1960—62; Климат СССР, в. 1—8, Л., 1958—63; Курс климатологии, ч. 1—3, Л., 1952—54; Сапожникова С. А., Микроклимат и местный климат, Л., 1950; Справочник по климату СССР, в. 1—34, Л., 1964—70; Физико-географический атлас мира, М., 1964; Handbuch der Klimatologie, hrsg. von W. Köppen und R. Geiger, Bd. 1—5, B., 1930 — 36; World survey of climatology, ed. H. E. Landsberg, v. 2, 4 — 8, 10— 14. Amst.—L.—N. Y., 1969—78.

თ. დავითაია.

კლიმატოთერაპია (*კლიმატი* და *თერაპია*), კლიმატური ფაქტორების გამოყენება მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით. კ-ს და კლიმატოპროფილაქტიკას საფუძვლად უდევს სამედიცინო *კლიმატოლოგია*. კ-თვის გამოიყენება ჰავისა და ამინდის ელემენტების კომპლექსი: ადგილმდებარეობა (ზღვის დონიდან), ბარომეტრული წნევა, ჰაერის ტემპ-რა, ნალექების რაოდენობა, ტენიანობა, ქარის ძალა და მიმართულება, ღრუბლიანობა, მზის რადიაციის ინტენსივობა და სხვ. კ-ის დროს ითვალისწინებენ ნიადაგის რადიაციული თვისებების გავლენას, ლანდშაფტის თავისებურებებს და ა. შ. სხვადასხვა-გვარი ჰავა კ-ის დიფერენცირებისა და სხვა-დასხვა კლიმ. პირობებში ორგანიზმის ვარჯიშის საშუალებას იძლევა (იხ. *აკლიმატიზაცია*). ველის ჰავას კუმისით მკურნალობასთან ერთად იყენებენ ტუბერკულოზის სამკურნალოდ; ნახევრად უდაბნოს ჰავა კარგად მოქმედებს თირკმლების დაავადების დროს; ზღვის ჰავა — სუნთქვის ორგანოების, ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლისა და სხვ. შემთხვევებში; მთის ჰავა ძლიერ ზემოქმედებას ახდენს სუნთქვისა და სისხლძარღვთა სისტემებზე, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას. კ-ის ძირითადი მეთოდებია *აეროთერაპია*, *მზით მკურნალობა* და *თალასოთერაპია*. მთის მდინარისა და ზღვის ნაპირზე, მთაში, ტყეში ჰაერი ოზონისა და ჟანგბადის გარდა მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს აეროიონებს (იხ. *აეროიონოთერაპია*). მზის სხივები აძლიერებენ ნერვული სისტემის აგზნებადობას, ააქტიურებენ ნივთიერებათა ცვლას, მათი ზეგავლენით ორგანიზმში წარმოიქმნება D ვიტამინი. დაბალი ბარომეტრული წნევა იწვევს სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ფუნქციების დაჩაბვას, ხელს უწყობს ერითროციტების წარმოქმნას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

კ-ს ფართოდ იყენებენ ყველა კურორტზე.

კლიმატოლოგია (*კლიმატი* და ... *ლოგია*), ფიზიკურ-გეოგრაფიულ მეცნიერებათა დარგი, რ-იც იკვლევს ჰავას (კლიმატს). კ. მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგად ფიზ. გეოგრაფიასთან, ბიოგეოგრაფიასთან, ჰიდროლოგიასთან, ოკეანოგრაფიასთან და განსაკუთრებით, მეტეოროლოგიასთან, რ-საც იგი გამოეყო. კ. სწრაფად განვითარდა 1920-იანი წლებიდან და დაიყო ცალკეულ დისციპლინებად. ესენია: კ ლ ი მ ა ტ ო გ რ ა ფ ი ა — ჰავის ტიპების დადგენა, აღწერა, კარტირება და მათი გეოგრ. გავრცელების შესწავლა; ფ ი ზ ი კ უ რ ი კ. — ჰავის გენეზისისა და დროში ცვლილების კანონზომიერებათა შესწავლა; დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი კ. — ჰავის თავისებურებების განხილვა ძირითადად ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციურ პროცესებთან დაკავშირებით; ა ე რ ო კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა — ატმოსფეროს მაღალი ფენების ჰავის შესწავლა; კ ო ს მ ი ს უ რ ი კ. — დედამიწის ჰავის გამოკვლევა კოსმ. აპარატების მეშვეობით; მ ი კ რ ო კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა — ჰაერის მიწისპირა ფენისა და ქვეფენილი ზედაპირის ჰავის შესწავლა; პ ა ლ ე ო კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა — გეოლ. და ისტ. წარსულის ჰავის შესწავლა. კ-ის დიდმა პრაქტ. მნიშვნელობამ განაპირობა ისეთი გამოყენებითი დისციპლინების ჩამოყალიბება, როგორიცაა: ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ. (*აგროკლიმატოლოგია*), რ-იც შეისწავლის ჰავის გავლენას სას.-სამ. კულტურებზე; ბ ი ო კ ლ ი მ ა ტ ო ლ ო გ ი ა შეისწავლის ჰავის გავლენას ცოცხალ ორგანიზმებზე, მ. შ. ადამიანზე; ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო კ. შეისწავლის კლიმ. ფაქტორების გავლენას ადამიანზე და მათ სამკურნ.-პროფილაქტ. გამოყენებას; ს ა ა ვ ი ა ც ი ო კ. შეისწავლის ჰავის გავლენას ავიაციაზე (ფრენის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა, აეროდრომების განლაგება და მშენებლობა); ს ა ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ო კ. შეისწავლის ჰავის გავლენას რკინიგზისა და საავტ. ტრანსპორტზე; ს ა მ შ ე ნ ებ ლ ო კ. ახდენს ჰავის ტიპიზაციას და იძლევა კლიმ. დარაიონებას საცხოვრ. და საწარმოო მშენებლობის მიზნებისათვის (ადგენს კლიმ. პირობების შესაბამის მშენებლობის ნორმებსა და წესებს).

წერილობით ცნობებს ჰავის შესახებ ჯერ კიდევ ძვ. საბერძნეთში ვხვდებით. XVII—XVIII სს. განეკუთვნება ინსტრუმ. დაკვირვებათა საფუძველზე დაყრდნობილი პირველი კლიმ. აღწერილობები. 1735 ვახუშტი ბატონიშვილმა ვიზუალური დაკვირვების შედეგად საკმაოდ დეტალურად აღწერა საქართვ. ჰავა. XVIII ს. II ნახევრიდან დედამიწის რამდენიმე პუნქტში დაიწყო ჯერ ეპიზოდური, შემდეგ მეტნაკლებად რეგულარული ინსტრუმ. მეტეოროლ. დაკვირვებანი. XIX ს. დასაწყისში საკმაო რაოდენობით დაგროვდა დაკვირვებათა მონაცემები, რ-თა განზოგადების პროცესში მეტეოროლოგიას ცალკე დარგად გამოეყო კ. 1817 ა. *ჰუმბოლდტმა* პირველმა შეადგინა კლიმ. რუკები და შეისწავლა მთიანი ქვეყნების კლიმ. სარტყლები, რ-ებიც დედამიწის განედურ კლიმ. ზონებს დაუპირისპირა. XIX ს. 30-იან წლებში მსოფლიოში უკვე 30-მდე ობსერვატორია იყო. მ. შ. 5 რუს. იმპერიაში: ნერჩინსკში (შეიქმნა 1832), ირკუტსკში, ლუგანსკში (ახლანდ. ვოროშილოვგრადი), ეკატერინბურგში (ახლანდ. სვერდლოვსკი) და თბილისში (1836). 1849 პეტერბურგში დაარსდა მთავარი ფიზ. ობსერვატორია (ამჟამად ა. ვოეიკოვის სახ. *მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორია*), რ-იც კრებდა და აზოგადებდა მეტეოსადგურების დაკვირვებათა მონაცემებს და ხელმძღვანელობდა სხვა ობსერვატორიების მუშაობას. 1832—64 გამოქვეყნდა გერმ. მეტეოროლოგის ჰ. დოვეს განმაზოგადებელი კლიმატოლ. შრომები, რ-თაც დართული ჰქონდა თვიური და წლიური იზოთერმების რუკა. რუსი მეტეოროლოგის მ. სპასკის შრომაში „მოსკოვის კლიმატი" (1847) მოცემულია კლიმატის მეცნ. კონცეფცია და სისტემ. მეტეოროლ. დაკვირვებათა მონაცემების დამუშავების მეთოდიკა. მნიშვნელოვანია კ. ვესელოვსკის ნაშრომი „რუსეთის კლიმატის შესახებ" (1857). XIX ს. ბოლოს გამოქვეყნდა მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევა, მ. შ. ა. *ვოეიკოვის* მონოგრაფია — „დედამიწის კლიმატები, განსაკუთრებით რუსეთისა" (1884), და ავსტრ. მეტეოროლოგის ი. ჰანის სამტომიანი კ-ის სახელმძღვანელო (ტ. 1, 1883). ა. ვოეიკოვის მონოგრაფიამ დიდი გავლენა იქონია კ-ის შემდგომ განვითარებაზე. შემდეგ მისი გავლენით შესრულდა ი. *ფიგუროვსკის* (შრომები კავკ. ჰავის შესახებ). პ. ბროუნოვის (შრომები ატმოსფეროს ცირკულაციასა და კლიმ. დარაიონების შესახებ), ა. კამინსკის (გამოკვლევები ტენბრუნვისა და ქარის რეჟიმზე), ლ. *ბერგის* (შრომები პალეოკლიმატოლოგიაში, ბიოკლიმატოლოგიაში, ჰავის კლასიფიკაცია და კლიმ. დარაიონება) და სხვ. გამოკვლევები. ა. ვოეიკოვისა და პ. ბროუნოვის შრომებმა საფუძველი ჩაუყარა სას.-სამ. კ-ს. ამ მიმართულებამ სსრკ-ში შემდგომი განვითარება ჰპოვა გ. სელიანინოვის, პ. კოლოსკოვის, თ. დავითაიას, ს. საპოჟნიკოვას, ი. გოლცბერგისა და სხვ. შრომებში. XX ს. შუა წლებში გამოვიდა ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი. სსრკ-ში გამოცემულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მონოგრაფიების სერია „სსრკ ჰავა", „სსრკ კლიმატური ატლასი" (2 ტომად, რედ. თ. დავითაია), „დედამიწის სითბური ბალანსის ატლასი" (რედ. მ. ბუდიკო), „მსოფლიოს აგროკლიმატური ატლასი" (რედ. ი. გოლცბერგი), კლიმ. რუკები, რ-ებიც შესულია მსოფლიოს ფიზ.-გეოგრ., საზღვაო, არქტიკისა და ანტარქტიკის, სსრ კავშირის სას.-სამ. ატლასებში, ცალკეული ქვეყნების ეროვნ. ატლასებში. რეგულარულად იბეჭდება სსრკ-ის კლიმ. და აგროკლიმ. ცნობარები. დიდძალი კლიმატოლ. მასალაა განზოგადებული ვ. კეპენისა და რ. გაიგერის „კლიმატოლოგიის სახელმძღვანელოში" და ჰ. ლანდსბერგის ხელმძღვანელობით გამოცემულ „მსოფლიოს კლიმატოლოგიურ მიმოხილვაში".

კოლოსალური კლიმ. მონაცემების განზოგადება საჭიროებდა მრავალწლიურ მეტეოროლ. დაკვირვებათა მასალის დამუშავების მეთოდიკის შექმნას და კარტირებას დედამიწის რეალური ზედაპირის გათვალისწინებით (და არა მათ დაყვანას ზღვის დონეზე, როგორც ეს ადრე იყო მიღებული). ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს საბჭ. მეცნიერებმა ე. რუბინშტეინმა, ო. დროზდოვმა, გ. სელიანინოვმა, ი. გოლცბერგმა, თ. დავითაიამ, ს. საპოჟნიკოვამ და სხვ. ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის როლი ჰავის ჩამოყალიბებაში შეისწავლეს ტ. ბერჟერონმა (შვეცია), ჰ. ფლონმა (გფრ), პ. პედელაბორდმა (საფრანგეთი), ბ. ალისოვმა, ბ. ძერძეევსკიმ, ს. ხრომოვმა, ხ. პოგოსიანმა, ვ. ბუგაევმა (სსრკ) და სხვ. სსრკ-ში მ. ბუდიკოს ხელმძღვანელობით შესწავლილია დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს სითბური და რადიაციული ბალანსი.

XX ს. II ნახევრიდან არსებითი ყურადღება ექცევა ჰავის ბუნებრივ და ანთროპოგენურ ცვლილებებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს ნ. ლემმა (დიდი ბრიტანეთი), ჰ. ლანდსბერგმა, რ. ბრაისონმა, მ. მიჩელმა (აშშ), ე. რუბინშტეინმა, მ. ბუდიკომ, თ. დავითაიამ (სსრკ) და სხვ. ძირითადად სსრკ-ში განვითარდა კ-ის ახ. დარგი — კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ი კ., რ-იც ჰავას განიხილავს როგორც ამინდის მრავალწლიური რეჟიმის ერთობლიობას და ჰავის გავლენას ბუნების კომპონენტებზე (ადამიანისა და მის მიერ შექმნილი ობიექტების ჩათვლით) შეისწავლის კონკრ. ამინდის გათვალისწინებით. ეს იდეა 1920-იანი წლებიდან ვითარდება ე. ფიოდოროვისა და მისი თანამიმდევრების მიერ.

სსრკ-ში ჰავის ზოგადი და პრაქტ. მნიშვნელობის პრობლემების კვლევა მიმდინარეობს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის დაწესებულებებში, მეცნ. აკად. გეოგრაფიის ინ-ტებში, უნ-ტებსა და პედ. ინ-ტებში, აგრეთვე სას.-სამ., კურორტოლოგიისა და სხვა საუწყებო ინ-ტებში.

საერთაშ. თანამშრომლობა კ-ის დარგში ხორციელდება *მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის*, *გეოდეზიისა და გეოფიზიკის საერთაშორისო კავშირის*, საერთაშორისო *გეოგრაფიული კავშირის*, ხოლო ბიოკლიმატოლოგიის დარგში — საერთაშორისო ბიოკლიმატური საზ-ბის მეშვეობით.

ლიტ იხ. სტ-თან *კ ლ ი მ ა ტ ი.*

კლიმატოლოგია ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო, მედიცინის დარგი, რ-იც შეისწავლის კლიმატური და ამინდის ფაქტორების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მათ სამკურნ.-პროფილაქტ. გამოყენების მეთოდებს. კ. მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა *კლიმატოლოგია*, *მეტეოროლოგია*, *სამედიცინო გეოგრაფია*,

კლიმატოფიზიოლოგია, მეტეო- და კლიმატოპათოლოგია და სხვ.

ცოცხალ ორგანიზმზე ამინდის მოქმედება დამოკიდებულია ამინდის წარმომქმნელ ისეთ მეტეოროლ. ელემენტებზე, როგორიცაა ჰაერის ტემპ-რა, ტენიანობა, ატმ. წნევა, მოღრუბლულობა, მზის რადიაციის ინტენსივობა, ქარი, ნალექები, ატმოსფეროს ელექტრობა და სხვ. თითოეული ფიქტორი თავისებურ ფიზიოლ. გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. მაგრამ, ჩვეულებრივ, ორგანიზმის ცალკეული ფუნქცია დამოკიდებულია ამინდის რამდენიმე ფაქტორის ერთობლივ მოქმედებაზე. კლიმატისა და მისი ცალკეული ელემენტის ორგანიზმზე მოქმედებას შეისწავლის კ ლ ი მ ა ტ ო ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი ა, რ-იც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს *ადაპტაციისა* და *აკლიმატიზაციის* საკითხებს, ზღვის, მთის, უდაბნოსა და სხვა. კლიმატის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, დღეღამური და სეზონური ბიორიტმების თავისებურებებს და სხვ. იმ ადგილებს, სადაც სასარგებლო კლიმ. პირობებია, კლიმატოთერაპიისათვის იყენებენ.

ადამიანის ორგანიზმში წარმოშობილ პათოლ. ძვრებს, რ-ებიც გამოწვეულია დისკომფორტული ამინდის გავლენით, შეისწავლის მეტეოპათოლოგია. დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმში თვალსაჩინოდ გამოხატული პათოლ. რეაქციები ვითარდება ე. წ. ფრონტალური ატმ. პროცესების გავლენით, რასაც დაერთვის ყველა მეტეოროლ. ელემენტის მკვეთრი ცვალებადობა; რაც უფრო კონტრასტულია ეს ცვალებადობა, მით უფრო მკაფიოდაა გამოხატული ორგანიზმის პათოლ. რეაქციები. დისკომფორტული ამინდისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან ავადმყოფები, რ-თაც აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. მათ ხშირად უვითარდებათ სხვადასხვა გართულება (სტენოკარდია, ჰიპერტონიული კრიზი, გულის კუნთის ინფარქტი, სისხლჩაქცევა თავის ტვინში და სხვ.). სხვადასხვა გეოგრ. ზონის ბიოკლიმ. ძვრების შესწავლამ შესაძლებელი გახადა კლიმატოთერაპევტ. ღონისძიებების შემუშავება სეზონური და არახელსაყრელი კლიმ. პირობების შედეგად განვითარებული დაავადებების გართულებების თავიდან ასაცილებლად.

სსრკ-ში კ-ის პრობლემებს ამუშავებენ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-ტები, კლინიკური და ჰიგიენის სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, აგრეთვე სსრკ გეოგრ. საზ-ბის სამედ. გეოგრ. კომისია. კ-ის პრობლემები და მიღწევები შუქდება ჟურნალში „Вопросы курортологии, физиотерапии и лечебной физической культуры" (1955-იდან) და სხვ. სამედ. და გეოგრ. ჟურნალებში.

საქ. სსრ-ში კ-ის დარგში ფართო სამეცნ.-კვლ. მუშაობაა გაშლილი *საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში*, სადაც შეისწავლიან საქაროვ. კურორტების კლიმ. თავისებურებებს. შემუშავებულია ამინდისა და კლიმატის სამედ. შეფასების მეთოდები და კლასიფიკაცია, ადამიანის ორგანიზმზე მთისა და ზღვის ჰაერის მოქმედების თავისებურებანი, კლიმ. მკურნალობის მეთოდები და სხვ.

ლიტ.: Ассман Д., Чувствительность человека к погоде, пер. с нем., Л., 1966. *გ. უშვერიძე.*

კლიმატური რუკა, რუკა, რ-ზეც გამოსახულია ჰაერის ცალკეული და კომპლექსური მაჩვენებლების სივრცობრივი განაწილება. კ. რ. დგება როგორც ჰაერის მიწისპირა ფენისათვის და ნიადაგის ქვეფენებისათვის, ისე ატმოსფეროს მაღალი ფენებისათვის. კ. რ. შეიძლება იყოს წლიური, სეზონური, თვიური, დეკადური და სხვ. ატმ. წნევა მიიყვანება ზღვის დონეზე, ჰაერის ტემპ-რა და სხვა კლიმ. მაჩვენებლები კი მოცემულია შეუცვლელად. თავისუფალი ატმ. წნევა ნაჩვენებია სხვადასხვა სტანდ. სიმაღლეზე, მაგ., *ყოველ კმ-ზე*, ან ზღვის დონიდან სხვადასხვა ბარიულ ზედაპირზე (900, 800, 700 *მბ* და ა. შ.). კლიმ. მაჩვენებლები რუკაზე აღნიშნულია იზოხაზებით: ატმ. წნევა — *იზობარებით*, ტემპ-რა — *იზოთერმებით*, ნალექები — იზოჰიეტებით და ა. შ. იზოხაზების გატარების დროს ითვალისწინებენ ტერიტ. გეოგრ. თავისებურებებს (განედი, აბსოლ. სიმაღლე, ოკეანიდან დაშორება, ტყიანობა, რელიეფის ფორმა, კალთების ექსპოზიცია და სხვ.). კ. რ-ზე მოცემულია ჰავის ტიპების გეოგრ. გავრცელება (კლიმ. სარტყლები, ზონები, ოლქები, რ-ნები და ა. შ.) ამა თუ იმ კლიმ. კლასიფიკაციის შესაბამისად. კ. რ-ის თემატურად გაერთიანებულ კრებულს წარმოადგენს სხვადასხვა დანიშნულების კ ლ ი მ ა ტ უ რ ი ატ ლ ა ს ე ბ ი. *თ. დავითაია.*

კლიმატური სეზონები, კლიმატური ნიშნებით გამოყოფილი წელიწადის დრონი. ეკვატორულ სარტყელში თანაბარი დანესტიანებისა და ჰაერის ტემპ-რების მცირე ამპლიტუდების გამო კ. ს-ს არ გამოჰყოფენ. სუბეკვატორულ სარტყლებში განარჩევენ მშრალსა და წვიმიან კ. ს-ს. შუა განედებში 4 კარგად გამოხატული სეზონია (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი). პოლარულ რ-ნებში გაზაფხულისა და შემოდგომის ნაცვლად ხანმოკლე გარდამავალი სეზონებია.

კლიმაქსი (<ბერძნ. klimaktēr—კიბის საფეხური), კ ლ ი მ ა ქ ტ ე რ ი უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი, სქესობრივი მოწიფულობიდან ხანშესულობაში გარდამავალი პერიოდი. ქ ა ლ ე ბ ი ს კ. ვლინდება მენსტრუაციული ციკლის დარღვევით სრულ შეწყვეტამდე (მ ე ნ ო პ ა უ ზ ა). კ. ჩვეულებრივ იწყება 45—54, უმეტესად 47 წლის ასაკიდან და 15—18 თვეს გრძელდება. ზოგჯერ აღინიშნება ნაადრევი კ. (40 წლამდე), რაც საკვერცხეების პირველადი უკმარისობით, ცხოვრების მძიმე პირობებით და სხვ. მიზეზებითაა გაპირობებული; მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გადატანილ ინფექციურ დაავადებებს, მძიმე სულიერ განცდას, კონსტიტუციურ და თანდაყოლილ მიდრეკილებას და სხვ. დაგვიანებული კ. (55 წლის შემდეგ) ჩვეულებრივ აღინიშნებათ ქალებს, რ-ებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო უვითარდებათ შეგუებითი მოვლენები მცირე მენჯში, აქვთ საშვილოსნოს ფიბრომა და სხვ. კ-ს საფუძვლად უდევს ქალის ორგანიზმის ციკლური ცვლილებების მარეგულირებელი სისტემის, მ. შ. ცენტრ. ნერვული სისტემის (ჰიპოთალამუსი, დიენცეფალური მიდამო, ტვინის დანამატი) და საკვერცხეების რთული ცვლილებები. საკვერცხეებში წყდება ფოლიკულების მომწიფება (ოვულაცია), თუმცა ზოგჯერ თვიური შეწყვეტის შემდეგ ერთხანს კიდევ გრძელდება ოვულაცია და ციკლური ცვლილებების მარეგულირებელი ჰორმონების გამომუშავება. ქალს თვიური ერთბაშად ან თანდათანობით შეუწყდება. ხშირად კ. ყოველგვარი ავადმყოფური მოვლენების გარეშე მიმდინარეობს. ზოგჯერ, განსაკუთრებით გახანგრძლივებული ან დაგვიანებული კ-ის დროს აღინიშნება სხვადასხვაგვარი დარღვევა, რასაც „კლიმაქტერიულ სინდრომს" უწოდებენ. ამ სინდრომის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ე. წ. ალები—სახის, კისრის, გულმკერდისა და კეფის მიდამოს უეცარი გაწითლება, რასაც თან სდევს შეხურების შეგრძნება და ძლიერი ოფლიანობა. ეს მდგომარეობა 2—3 *წთ* გრძელდება. ზოგჯერ ალები იმდენად ხშირად მეორდება, რომ ქალი შრომისუნარიანობას კარგავს; განსაკუთრებით შემაწუხებელია ალები ღამით. დამახასიათებელია აგრეთვე ნერვული აგზნება ან დეპრესია, მეხსიერების შესუსტება, თავის ტკივილი, უძილობა, უმადობა, კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოშლა, ტაქიკარდია, ზოგჯერ ტკივილი გულის არეში, მუხლებისა და თითების სახსრებში (ენდოკრინული ართრიტები), არტერიული წნევის მომატება, ნივთიერებათა ცვლის მოშლა — გასუქება ან გახდომა და ა. შ. ხშირად ყველა ავადმყოფური სიმპტომი მკურნალობის გარეშე გაივლის. მძიმე შემთხვევებში მიმართავენ საერთო გამაჯანსაღებელ მკურნალობას — რაციონალურ ჰიგიენურ რეჟიმს, დიეტას (განსაკუთრებით სიმსუქნისადმი მიდრეკილების დროს), A, B, E ჯგ. ვიტამინებს, ჰორმონოთერაპიას, გალვანიზაციას, ჰიდროთერაპიას და სხვ. მ ა მ ა კ ა ც ე ბ ი ს კ. ჩვეულებრივ 50—60 წლის ასაკში ვითარდება და უფრო სუსტდაა გამოხატული, მაგრამ უფრო ხანგრძლივია. კლიმაქტერიული სინდრომი ნეირო-ვეგეტატურ, გულ-სისხლძარღვთა და ჰორმონულ დარღვევებში ვლინდება; დამახასიათებელია უძილობა, მეხსიერების შესუსტება, შრომისუნარიანობის დაქვეითება, შიში, თავბრუ, სახისა და თავის მიდამოში სისხლის მოწოლა, გულის ტკივილი, სისხლის წნევის მომატება, სქესობრივი პოტენციის შესუსტება და სხვ. მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა — ხანგრძლივი ჰორმონოთერაპია (ანდროგენები).

ლიტ.: Вихляева Е. М., Климактерический синдром и его лечение, М., 1966. *ა. დონდუა.*

3. კლიმოვი

კლიმიანაშვილი ზაქარია მიხეილის ძე [1 (13). VIII. 1881, სოფ. რუისი, გორის (ახლანდ. ქარელის) რ-ნი, — 20. VIII. 1934, თბილისი], ქართველი საბჭ. პედაგოგი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. 1910 დაამთავრა ოდესის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი და დაიწყო მასწავლებლობა. კ-მა შეადგინა სახელმძღვანელოები „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია" (1927—44), „სსრ კავშირის გეოგრაფია" (1929), „კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია" (1932). *გ. დონდუა.*

ა. კლიმუკი.

კლიმოვი ვლადიმერ იაკობის ძე [11 (23). VIII. 1892, მოსკოვი, — 9. IX. 1962, იქვე], საბჭ. მეცნიერი საავიაციო ძრავათმშენებლობის დარგში, საავიაციო ძრავების კონსტრუქტორი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953); ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1940 და 1957), საინჟინრო სამსახურის გენ.-მ. 1918. მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იყო სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს საავიაციო ძრავების განყ-ბის უფროსი. შემდგომში მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამეცნ.-კვლ. ინ-ტებსა და საავიაციო ქ-ნებში, 1935-იდან საავიაციო ძრავების მთავარი კონსტრუქტორია. კ-ის ხელმძღვანელობით შეიქმნა გამანადგურებელი და ბომბდამშენი ავიაციის მძლავრი ძრავები. სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1941, 1943, 1946, 1949). ომის შემდგომ პერიოდში კ-ის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს რიგი საჰაერო-რეაქტიული ძრავები. სსრკ II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

კლიმოვსკი, ქალაქი (1940-მდე დაბა) რსფსრ მოსკოვის ოლქში. რკინიგზის სადგური (გრივნო), პოდოლსკიდან 8 *კმ*. 52 ათ. მცხ. (1977). საფეიქრო მანქანათსაშ. (დაარსდა 1883) და სას.-სამ. მანქანების ქ-ნები, სათამაშოების ფ-კა.

კლიმუკი პეტრე ილიას ძე (დ. 10. VI. 1942, სოფ. კომაროვკა, ბრესტის რ-ნი, ბრესტის ოლქი), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (28. XII. 1973, — 27. VII. 1975). სკკპ წევრი 1963-იდან. 1964 დაამთავრა ჩერნიგოვის უმაღლესი სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. 1965-იდან კოსმონავტთა რაზმშია. 1973 წ. 18 დეკ. კოსმ. ხომალდ „სოიუზ-13-ით" გაფრინდა კოსმოსში ვ. *ლებედევთან* ერთად; მათ განახორციელეს სამედ.-ბიოლ. ექსპერიმენტები, ვარსკვლავებზე დაკვირვებანი ტელესკოპ „ორიონ-2-ით" ულტრაიისფერ დიაპაზონში და სხვ. ფრენა 8 დღ-ღ გაგრძელდა. 1975 წ. 24 მაისს მეორედ გა-

კლინი. პ. ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმი.



კლისტრონი. ნახ.2. ამრეკლი კლისტრონის კონსტრუქციის სქემა: 1—კათოდი; 2—მაფოკუსებელი ცილინდრი; 3—ელექტრონთა ნაკადი; 4—მაჩქარებელი ბადე; 5—მოცულობითი რეზონატორი; 6—მოცულობითი რეზონატორის ღრეჩო; 7—ამრეკლი; 8—რეზონატორის მეორე ბადე 9—რეზონატორის პირველი ბადე; 10—მოცულობითი რეზონატორიდან ზემაღალი სიხშირის ენერგიის გამოსაყვანი კერამიკული ფანჯარა; 11—კლისტრონის რეზონატორის ძაბვის წყარო; 12—შესათბობი კათოდის ძაბვის წყარო; 13—ამრეკლის ძაბვის წყარო.



კლისტრონი. ნახ. 1. გამრბენი კლისტრონის კონსტრუქციების სქემები: ა—მაძლიერებელი; ბ—გენერატორული. 1—კათოდი; 2—მაფოკუსებელი ცილინდრი; 3—ელექტრონთა ნაკადი; 4—შესასვლელი მოცულობითი რეზონატორი; 5—ზემაღალი სიხშირის ენერგიის მისაწოდებელი ხვრელი; 6—მოცულობითი რეზონატორის ღრეჩო; 7—დრეიფის სივრცე; 8—გამოსასვლელი მოცულობითი რეზონატორი; 9—ზემაღალი სიხშირის ენერგიის გამომყვანი ხვრელი; 10—ელექტრონთა ნაკადის მიმღები კოლექტორი; 11—შუალედური მოცულობითი რეზონატორები; 12—ანოდური ძაბვის წყარო; 13—კათოდის შესათბობი ძაბვის წყარო; 14—პირველი მოცულობითი რეზონატორი; 15—ჭერიტე. რომლის საშუალებით ზემაღალი სიხშირის ენერგიის ნაწილი გადის მეორე რეზონატორიდან პირველში; 16—მეორე მოცულობითი რეზონატორი.

ფრინდა კოსმოსში კოსმ. ხომალდ „სოიუზ-18-ით“ ვ. *სევასტიანოვთან* ერთად. კოსმონავტები გადავიდნენ 1975 იანვარში გაშვებულ კოსმ. სადგ. „სალუტ-4-ში“ და განაგრძეს „სოიუზ-17-ის“ და „სალუტ-4-ის“ წინა ერთობლივი ფრენის დროს დაწყებული ექსპერიმენტები; ფრენა დამთავრდა 1975 წ. 26 ივლისს. მესამედ კ-მა კოსმოსში იფრინა 1978 წ. 27 ივნ.—5 ივლ. პოლ. სრ კოსმონავტ მ. გერმაშევსკისთან. ერთად კოსმ. ხომალდით „სოიუზ-30“ და ორბიტული სადგურით „სალუტ-6“ (ძირითადი ეკიპაჟი: *ვ. კოვალიონოკი, ა. ივანჩენკოვი*). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1978). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენითა და მედლებით.

კლინგერი (Klinger) ფრიდრიხ მაქსიმილიან (17. II. 1752, მაინის ფრანკფურტი, — 25. II. 1831, პეტერბურგი), გერმანელი მწერალი. „*ქარიშხლისა და შეტევის*“ („შტურმ უნდ დრანგი“) მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. კ-ის დრამები შეიცავს ამ მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ჯანყისა და ინდივიდუალიზმის ელემენტებს, მიმდინარეობასაც სწორედ მისი ნაწარმოების „შტურმ უნდ დრანგის“ (1776) მიხედვით მიეცა სახელწოდება. კ-ის დრამების („ოტო“, 1775; „ტანჯული ქალი“, 1775; „ტყუპები“, 1776) ძირითადი თემაა ბრძოლა ტირანიის, ფეოდ. თვითნებობის, სოც. უთანასწორობის წინააღმდეგ. კ-ის რომანებიდან მნიშვნელოვანია: „ფაუსტის ცხოვრება, საქმენი და ჯოჯოხეთს შთასვლა“ (1791).

კლინი, ქალაქი რსფსრ მოსკოვის ოლქში, მდ. სესტრის (ვოლგის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური მოსკოვ—კალინინ—ლენინგრ. ხაზზე, მოსკოვიდან 89 *კმ*. 89 ათ. მცხ. (1977). მატიანეში პირველად მოხსენიებულია 1234. კ-ში არის ქიმ. ბოჭკოს კომბინატი, ქ-ნები: „ხიმლაბორაპოსუდა“, ჩარხთსაშენი, მინის, თერმომეტრების; საფეიქრო საწარმოები, საშენი მასალის წარმოება. სადამოს ქიმ.-მექან. ტექნიკუმი.

არქიტ. ძეგლებია: მიბინების მონასტრის ეკლესია (XVI ს. დასაწყ. — XVII ს. შუა წლები), მთავარ მოედანზე აღმართული აღდგომის ეკლესია (1712, „ნარიშკინის სტილი“) სამრეკლოთი (XVII—XVIII სს.), ფოსტა, ქარვასლა, ქალაქისთავის სახლი (ყველა XIX ს. დასაწყ., არქიტ. ს. კარინი), ქალაქის საზღვრებშია მამული დემიანოვო (XVIII ს.). 1892 — 93 კ-ში ცხოვრობდა და მუშაობდა პ. ჩაიკოვსკი (არის სახლ-მუზეუმი).

კლინიკა (ბერძნ. klinikē—მკურნალობა), საავადმყოფოს ტიპის სამკურნალო დაწესებულება, სადაც ავადმყოფების კვალიფიციური მკურნალობა შერწყმულია სამედ., სამეცნ.-კვლ. და სასწ.-პედ. მუშაობასთან (სტუდენტების მეცადინეობა, ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება). სსრკ-ში სამედ.-სასწავლო და სამეცნ.-კვლ. ინ-ტებს ან საკუთარი კ-ები აქვთ ან მუშაობენ ქალაქის საავადმყოფოების და სხვა სამკურნ.-პროფილაქტ. დაწესებულებების ბაზაზე.

კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი და სხვ.) სტრუქტურული ნაწილი. კ.-დ. ლ-ის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს შემდეგი განყ-ბები: საერთო კლინიკური გამოკვლევების (დიდი მოცულობის სამუშაოს დროს ზოგჯერ გამოყოფენ ჰემატოლოგიურ განყ-ბას), ბიოქიმ., სეროლოგიური, ციტოლოგიური და ბაქტერიოლოგიური. კ.-დ. ლ-ის განყ-ბების შემადგენლობას, მუშაობისა და გამოკვლევების მოცულობას და საშტატო ერთეულების რაოდენობას განსაზღვრავს სამედ. დაწესებულების პროფილი და საწოლების (სტაციონარში) ან კაბინეტების (პოლიკლინიკაში) რაოდენობა.

საშტატო ერთეულების მიხედვით კ.-დ. ლ. შეიძლება 4 კატეგორიად დაიყოს: 12 და მეტი ექიმი და ლაბორანტი; 6—11 საშტატო ერთეული; 1—5 საშტატო ერთეული; IV კატეგორიის კ.-დ. ლ-ს ექიმი-ლაბორანტები არ ჰყავს; ლაბორ. შტატი შეიძლება შედგებოდეს 1—3 მედ.-ლაბორანტისაგან, რ-ებიც მუშაობენ ექიმის ან ზემედგომი ორგანოს ლაბორ. ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. კ.-დ. ლ-ის პერსონალის მუშაობა განისაზღვრება იმ დროით, რ-იც ანალიზების გასაკეთებლად იხარჯება. დროის ერთეულად მიღებულია 10 *წთ*, ე. ი. ის დრო, რ-იც შარდის ანალიზის გასაკეთებლადაა საჭირო; ნახველის ანალიზი შესაბამისად უდრის 2 ერთეულს (20 *წთ*), სისხლის ანალიზი — 4 ერთეულს (40 *წთ*) და ა. შ.

კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი მ. წინამძღვრიშვილის სახ. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1946 მ. *წინამძღვრიშვილის* თაოსნობით. ინ-ტი ამუშავებს კარდიოლოგიის ძირითად პრობლემებს: არტერიული ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, გულის იშემიური დაავადების, გულის მანკის და სისხლის მიმოქცევის უკმარისობის საკითხებს. ინ-ტში 33 სამეცნ. და სამკურნ. განყ-ბა და ლაბორატორიაა. ინ-ტის ბაზაზე შექმნილია სამედ. ბიოფიზ. რეს. ცენტრი. აქვს 200-საწოლიანი სტაციონარი.

1979-თვის ინ-ტს გამოქვეყნებული აქვს 37 მონოგრაფია, შრომათა კრებულების 13 და სამეცნ. კონფერენციების მასალათა 18 ტომი. 1946—56 დაიწყო ჰიპერტონიული დაავადების ყოველმხრივი, მ. შ. მისი საქართველოში გავრცელების შესწავლა; შემუშავებულ იქნა ჰიპერტონიული დაავადების ორიგინალური კლასიფიკაცია, პირველად დადგინდა მისი რეციდივიული (უკუგანვითარებითი) ფორმა (მ. წინამძღვრიშვილი). აქვე, საქართველოში პირველად დაიწყო ათეროსკლეროზისა და კორონარული დაავადების ყოველმხრივი შესწავლა. ინ-ტი მონაწილეობს უეცარი სიკვდილის პრობლემის სსრკ-აშმ ერთობლივ კვლევაში. *ვ. ქავთარაძე.*

კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსი, დაარსდა 1958 პ. სარაჯიშვილის თაოსნობით. ინ-ტს აქვს კლინიკური ნევროლოგიის, ექსპერ. ნევროლოგიის, სამეცნ.-საორგანიზაციო და სამედ. სისტემ.-ტექ. განყ-ბები, 7 ლაბორ., 2 კაბინეტი, რადიოელექტრული სახელოსნო და ვივარიუმი.

ინ-ტი იკვლევს ეპილეფსიის, თავის ტვინის სისხლძარღვთა დაავადებებისა და ნერვული სისტემის სიმსივნეების პრობლემებს. სამეცნ. შრომების კრებულების გარდა ინ-ტი პერიოდულად გამოსცემს საკავშ.-საინფორმაციო მეთოდურ ბიულეტენს „ეპილეფსიას“ (დღემდე გამოსულია 10 ნომერი). ინ-ტში შემუშავებულია ეპილეფსიური გულყრების ერთიანი კლასიფიკაცია, რ-საც საფუძვლად დაედო კლინიკურ-ტოპიკური და ელექტროენცეფალოგრაფიული პრინციპები. აქ კვალიფიკაციას იმაღლებენ სსრკ-ისა და საზღვარგარეთის (უნგრეთი, ბულგარეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, აშშ, კანადა, გფრ და სხვ.) სპეციალისტები. ვარშავის სამედ. აკად. ნევროლოგიურ კლინიკასთან და ბულგ. მეცნ. აკად. ეპილეპტოლოგიურ ჯგუფთან ერთად ინ-ტი ამუშავებს ეპილეფსიის პრობლემების ზოგიერთ საკითხს. *გ. ზედგინიძე.*

კლინკერი (ინგლ. clinker), სპორტული აკადემიური სანაჩქარო ნავი (ამზადებენ ფიცრების პირაპირა ან პირგადადებითი შეერთებით); ძირითადად იყენებენ, როგორც სასწავლო გემს.

კლინცი, ქალაქი რსფსრ ბრიანსკის ოლქში, მდ. ტუროსნის (დნეპრის აუზი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური. 66 ათ. მცხ. (1977). მსუბუქი მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრი. თხელი მატუდის და ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანებები, საფეიქრო მანქანათაშ., სადგუშე რგოლების და ავტოსარემონტო ქ-ნები, სამკერვალო, ტრიკოტაჟის და ბაწარ-თოკების ფ-კები, საშენ მასალათა კომბინატი. საფეიქრო ტექნიკუმი, სამედ. და პედ. სასწავლებლები. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კლიო, ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი მუზა, ისტორიის მფარველი. გამოსახავდნენ გრიფელითა და პაპირუსის გრაგნილით (ანდა ზარდახშით) ხელში.

კლიპერი (ინგლ. clipper, ჰოლანდ. klipper), სწრაფმავალი საზღვაო აფრიანი გემი, რ-იც XIX ს. ბოლომდე არსებობდა და ძირითადად ძვირფასი ტვირთის (ჩაი, სუნელ-სანელებელი, მატყლი) გადასაზიდად იყენებდნენ. კ-ს ჰქონდა მახვილი კონტური, 3—4 ანძა, საკმაოდ დიდი იყო მისი აფრიანობა. სამხ.-საზღვ. ფლოტში კ-ის დანიშნულება სადაზვერვო და კრეისერული სამსახური იყო.

კლირინგი (ინგლ. clearing<clear — გაწმენდა, ნათელყოფა), შინაგანი ან საერთაშორისო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, დაფუძნებული გარიგებაში მონაწილე მხარეების ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა ჩათვლაზე. ანგარიშსწორების ძირითადი პრინციპია მხარეების ურთიერთმოთხოვნათა და ვალდებულებათა თანასწორობა. პრაქტიკაში ასეთი დამთხვევა ყოველთვის არ ხდება. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორების დამთავრებისათვის აუცილებელია განსხვავება დაიფაროს ნაღდი ფულით. კლირინგულ ანგარიშსწორებაში შეიძლება მონაწილეობდეს ორი ან რამდენიმე მხარე. შესაბამისად ამისა, განასხვავებენ ორმხრივ და მრავალმხრივ კ-ს. კ. ყოველთვის ემყარება ხელშეკრულებას. კლირინგული ანგარიშსწორების მეთოდი პირველად (XVIII ს. შუა პერიოდში) ინგლისში გამოიყენეს. კ. განსაკუთრებით გახშირდა იმპერიალიზმის ეპოქაში, რაც განაპირობა *უნაღდო ანგარიშსწორების* გავრცელებამ. II მსოფლიო ომის შემდეგ კ-ის გამოყენება დაიწყეს სოციალ. ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობის სფეროშიც. სოციალ. ქვეყნების ეკონ. განმტკიცებამ განაპირობა ანგარიშსწორების უფრო სრულყოფილი მრავალმხრივი კ-ის სისტემაზე გადასვლა.

კ-ს საერთაშ. ანგარიშსწორების სფეროში საგალუტო კ-ის ფორმა აქვს. იგი ითვალისწინებს ანგარიშსწორებას ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის; ხორციელდება შემხვედრ მოთხოვნათა ჩათვლის გზით. გადახდა წარმოებს ნაღდი ვალუტითა და ოქროთი. საქონლის მიწოდებისა და გაწეული მომსახურების ღირებულების თანხის სხვაობის შესაბამისად. საგალუტო კ-ს თავდაპირველად მხოლოდ საგარეო ვაჭრობის სფეროში იყენებდნენ, შემდეგ კი იგი გავრცელდა ქვეყნებს შორის ეკონ. კავშირის შედეგად წარმოშობილი არასავაჭრო ხასიათისა და სხვა გადასახდელების ოპერაციებზეც.

საექსპორტო და საიმპორტო სავაჭრო ოპერაციებისა და მასთან დაკავშირებული ანგარიშსწორების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა კლირინგული ანგარიშების საშუალებით ყოველდღიურად დადგინდეს სხვაობა გადასახდელსა და

სტ. *კიევის რუსეთი.* **1.** მოციქულთა ფიგურები „ევქარისტიადან". XII ს. დასაწყ. მიხეილის მონასტრის ტაძარი. კიევი. მოზაიკის ფრაგმენტი. „სოფიას მუზეუმის" არქეოლოგიურ-ისტორიული ნაკრძალი. კიევი. **2.** „მარკოზ მახარებელი". „ისტრომირის სახარების" მინიატიურა. 1056–57. მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა. ლენინგრადი. **3.** ლომთან მებრძოლი ჰერაკლე. პეჩერის მონასტრის რელიეფი. კიევი. შიფერი. XI ს. კიევ-პეჩერის ისტორიულ-სამხატვრო მუზეუმი-ნაკრძალი. **4.** „წმ. ნესტორი და დიმიტრი". რელიეფი. მიხეილის მონასტრის ტაძრის ფასადიდან. კიევი. შიფერი. XI ს. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი. **5.** მოციქულები. კომპოზიცია „ევქარისტიადან" „წმინდა საიდუმლო". XI ს. შუა წლები. სოფიას ტაძარი. კიევი. მოზაიკის ფრაგმენტი.





სტ. *კოლუმბია.* **1.** ეულკანი ტოლიმა ცენტრალურ კორდილიერაში. **2.** ეულკანი კუმბალი. **3.** ქ. ბოგოტის საერთო ხედი. **4.** ქ. მედელინის საერთო ხედი. **5.** ოქროს ნიღაბი. კიმბაის კულტურა. ბრიტანეთის მუზეუმი. ლონდონი. **6.** ოქროს ფიგურა. კიმბაის კულტურა.ლუიჯი პიგორინის ისტორიამდელი და ეთნოგრაფიული ეროვნული მუზეუმი. რომი. **7.** ფიგურული ვაზა ანტიოქიიდან. კიმბაის კულტურა. უნივერსიტეტის მუზეუმი. ფილადელფია. **8.** ფიგურული ვაზა. კერამიკა. მუისკის კულტურა. კუნდინამარკი. ლუიჯი პიგორინის ისტორიამდელი და ეთნოგრაფიის ეროვნული მუზეუმი. რომი. **9.** მ. დ ი ა ს ვ ა რ გ ა ს ი. „ბოიკელი გლეხები". 1934. **10.** ე. გ ა რ ა ი. ტერესა პონსე დე ტანკოს პორტრეტი. XIX ს. დასასრული.























სტ. *კონსტრუქტივიზმი.* **1.** ა., ვ. და ლ. ვესნინები. შრომის სასახლის პროექტი. მოსკოვი. 1922—23. **2.** ა. ბუროვი. ცენტრალური ვაგზლის პროექტი. მოსკოვი. 1925. **3.** ვ. და გ. სტენბერგები. ექსპერიმენტული კონსტრუქცია. ლითონი. მინა. 1919. **4.** ი. გოლოსოვი. ზუევის სახ. კლუბის პროექტი. მოსკოვი. 1927. **5.** გ. კლუცისი. „სპორტი". ფოტომონტაჟი. 1923. **6.** ი. ლეონიდოვი. „ლენინის ინსტიტუტის" (ვ. ი. ლენინის სახ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ინ-ტი). პროექტი. 1927. ფრაგმენტი. **7.** ნ. კოლი. სატრანსფორმატორო სადგურის პროექტი. 1920-იანი წლების I ნახევარი. **8.** ვ. სტეპანოვა. სპორტული ტანსაცმლის პროექტი. გუაში. 1920-იანი წლები. ვ. როდჩენკოს საკუთრება. მოსკოვი. **9.** ა. განი. ომის ინვალიდთა დამხმარე სრულიად რუსეთის კომიტეტის კიოსკი. **10.** ა. როდჩენკო. მუშათა კლუბის გაფორმება და ავეჯი. პარიზის დეკორატიული ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის ექსპონატი. 1925. **11.** ლ. პოპოვა. კრომელინის ტრაგიკული ფარსის „დიდსულოვანი რქოსანის" დანადგარის მაკეტი. კ. მეიერხოლდის სახ. თეატრი. მოსკოვი. 1922. ა. ბახრუშინის სახ. ცენტრალური თეატრალური მუზეუმი. მოსკოვი. **12.** მ. გინზბურგი. სააქციო საზოგადოება „ორგმეტალის" სახლი. მოსკოვი. 1926—27.







სტ. კორეა (I). **1.** კიმგანსანის მთები. **2.** ბრინჯის ნათესები კორეის ცენტრალური ნაწილის მთის კალთებზე. **3.** კონბოკუნის სასახლის პავილიონი. 1394. სეული. **4.** პულგუქსის ტაძრის მთავარი შესასვლელი. კონჯუს მახლობლად (751, გადაკეთებულია 1350). **5.** ტეუნ-ჯონი. სოგვანსის მონასტრის პავილიონი. ანბონას რ-ნი (ხამგონ-ნამდოს პროვინცია). 1386. დაინგრა 1950—53. **6.** საცხოვრებელი სახლი. ხვანხე-ჟუქტოს პროვინცია. XX ს. **7.** ვონგაქსის მონასტრის პაგოდა. სეული. 1467. **8.** კიმ სიკი. „აკიზაკი ნავთან ერთად". აბრეშუმი, ტუში. XVII ს. ნატიფი ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი. ფწენიანი. **9.** მმართველ კიმ ჩუნ ჩუს საფლავის ძეგლი კენჯუში. გრანიტი. VII ს. **10.** ძომავლის ბუდის-მაიტრეის სტატუა. მოოქრული ბრინჯაო. VII ს დასაწყისი. ეროვნული მუზეუმი. სეული.







სტ. *კორეა* (ქსდრ) **1.** ფხენიანი. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი. **2.** ფხენიანი. დიდი თეატრის შენობა. **3,4,5.** ტრადიციული სათეატრო ნიღბები. **6.** ჩ ო გ ი უ ბ ო ნ ი „სამხრეთ კორეელი დედა". ტონირებული თაბაშირი. 1959. **7.** ლ ი ს ო კ ხ ო „მზესუმზირა". ქაღალდი. ტუში. 1957. **8—9.** კადრები ფილმებიდან: (8—„მეცვავილე გოგონა". რეჟ. პაკ ხაკი და ციო იკ კი. 1972. 9—„ახალდაქორწინებულები". რეჟ. იუნ იონ გიუ. 1955). **10.** ც ო ი გ ე ნ გ ი ნ ი „კიმ ირ სენი ჰიდროელექტროსადგურზე". 1970.











სტ. *კრემლი.* **1.** საერთო ხედი ზემოდან. **2.** მიძინების ტაძარი. 1475—79. არქიტ. ა. ფიორავანტი. **3.** სასახლე. 1635—36. არქიტექტორები ა. კონსტანტინოვი, ბ. ოგურცოვი, ტ. შარუტინი, ლ. უშაკოვი. **4.** მეფე-ზარბაზანი. ჩამოსხმულია 1586. ოსტატი ა. ჩოხოვი. **5.** მაცხოვრის (ფროლის) კოშკი. 1493 წლამდე. არქიტ. პ. სოლარი. კარვისებრი საბურავი—1625. **6.** ანსამბლის ერთ-ერთი ნაწილის ხედი მდ. მოსკოვის მხრიდან. მარჯვნიდან მარცხნივ—I უსახელო კოშკი (XV—XVII სს.), სამრეკლო „ივანე დიდი" (1505—08, არქიტ. ბონ ფრიაზინი, დანაშენი—1600), მთავარანგელოზთა ტაძარი (1505—08, არქიტ. ალევიზ ფრიაზინ ნოვი), II უსახელო კოშკი (XV—XVII სს.). **7.** წყალსაწევი (სვიბლოვის) კოშკი. 1488. არქიტ. პ. სოლარი, დანაშენი—XVII ს.





სტ. კუბა. (I). **1.** ატლანტის ოკეანის სანაპირო კურორტ ვარადეროსთან. **2.** ლანდშაფტი ორიენტეს პროვინციაში. **3.** ბორცვები ქ. პინარ-დელ-რიოს მახლობლად. **4.** დაბა გუამა ელ-ტესოროს ტბაზე. **5.** სანტიაგო-დე-კუბა. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი. უკანა პლანზე მთები სიერა-მაესტრა. **6.** სიენფუეგოსი. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი. **7.** ჰავანა. ქალაქის ერთ-ერთი ნაწილი. **8.** ჰავანა. პლასა დე ლა კათედრალის მოედანი. შუაში ტაძარი (1748—77) მოედნის ორივე მხარეს—დიდებულთა სახლები (XVIII ს.). **9.** რ. ოტერო და სხვ. ეროვნული კაპიტოლიუმი. 1925—29. ჰავანა. **10.** ა. კინტანა, მ. რუბიო. სოცუზრუნველყოფის კბილის სამკურნალო საზოგადოების შენობა. 1952—55. ჰავანა. **11.** მუნიციპალიტეტის ეზო (პატიო). ჰავანა. **12.** სცენა ა. ადანის ბალეტიდან „ჟიზელი" (ჟიზელი ა. ალონსო). კუბის ეროვნული ბალეტი. **13.** ტ. რ. რამოს ბლანკო. „შინაგანი ცხოვრება". მარმარილო. XX ს. II მეოთხედი. ეროვნული მუზეუმი. ჰავანა.

სტ. კუბა (II). **1.** ხ. ა რ ჩ ე. „ჩემი ცოლი და მე". 1937. **2.** ვ. მ ა ნ უ ე ლ ი. „ტროპიკების ბოშა ქალი", 1929. **3.** ე. ა ვ ე ლ ა. „გლეხები". 1936. **4.** რ. ლ ო ი. „ხილის გამყიდველი". მხატვრის კუთვნილება. 1941. **5.** ა. პ ო ს ე. „მილისიანო". გრავიურა. **6.** პ. დ ე ლ ა ნ დ ა ლ უ ს ე. „ვიზიტი". **7.** კუბის ეროვნული ფოლკლორული ანსამბლის გამოსვლა. 1971. 8—9. კადრები კინოფილმებიდან; **8.** „წყლის დღეები". რეჟ. მ. ოქტავიო გომესი. 1971. **9.** „ლუსია". რეჟ. უ. სოლასი", 1970. (1,2,3,4,6—ეროვნული მუზეუმი. ჰავანა).

შემოსავალს შორის. თუ რ-იმე ქვეყნის დავალიანების თანხა აღემატება კლირინგული შეთანხმებით გათვალისწინებული ურთიერთდავალიანების ლიმიტს, ეს ქვეყანა ვალდებულია შეამციროს თავისი დავალიანება შეთანხმებით დადგენილ ლიმიტამდე.

ღრმა თვისებრივმა ცვლილებებმა ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონ. ურთიერთობაში მოითხოვა ანგარიშსწორების სისტემის შემდგომი სრულყოფა. 1964 წლის 1 იანვრიდან მრავალმხრივი ანგარიშსწორების განხორციელება გადასაყვანი მანეთებით დაკისრებული აქვს ეკონ თანამშრომლობის საერთაშ. ბანკს. სოციალ. ეკონ. ინტეგრაციის კომპლ. პროგრამა ითვალისწინებს გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორების სისტემისა და ეკონ. თანამშრომლობის საერთაშ. ბანკის საქმიანობის შემდგომ სრულყოფას. *ნ. ბერძენაძე.*

კლისთენე (Kleisthenēs) (ძვ. წ. VI ს.), ძვ. ათენის პოლიტიკური მოღვაწე (კანონმდებელი), *ალკმეონიდების* გვარის წარმომადგენელი. ტირანიის დამხობის შემდეგ (ძვ. წ. 510) ათენში ახ. ძალით იფეთქა კლასობრივმა ბრძოლამ, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწ. მეთაურის კ-ს დემოკრ. რეფორმები: ათენი და მისი მიდამოები გამოიყო ცალკე ოლქად, რ-იც თავის მხრივ 10 ტრიტიად დაიყო. პირველადი ადმ. ერთეული იყო სასოფლო თემი—დემი. „ოთხასთა საბჭო" „ხუთასთა საბჭომ" შეცვალა. შეიქმნა მმართველობის ახ. ორგანო — სტრატეგოსთა კოლეგია (10 კაცი). ახ. პოლიტ. წყობილების დასაცავად კ-მ შემოიღო *ოსტრაკიზმი.* კ-ს რეფორმებმა განამტკიცეს ათენის დემოსის გამარჯვება გვარაონ. არისტოკრატიაზე.

კლისტრონი [ბერძნ. klyzō — ზვირთცემა და (*ელექ*) *ტრონი*], ელექტროვაკუუმური ხელსაწყო, რ-საც იყენებენ ზემაღალი სიხშირის (ზმს) რხევათა გენერირების, გაძლიერებისა და გამრავლებისათვის. მისი მუშაობის პრინციპი ემყარება მაღალი სიხშირის ელექტრომაგნ. ველისა და ელექტრონთა ნაკადის ურთიერთქმედებას. ელექტრონული ნაკადის მოდულაციის ხერხის მიხედვით კ. ორგვარია: გამრბენი (ორრეზონატორიანი ან მრავალრეზონატორიანი) და ამრეკლი.

გ ა მ რ ბ ე ნ კ-ში (ნახ. 1) ელექტრონები თანამიმდევრულად გაირბენენ მოცულობითი რეზონატორების ღრეჩოებში (შესავალ რეზონატორში, რ-შიც ხდება ელექტორონების სიჩქარეთა მოდულაცია, და გამოსასვლელ რეზონატორში, რ-შიც ელექტრონების უმრავლესობა ზმს ელექტრულ ველთან ურთიერთმოქმედების გამო დამუხრუჭდება და მათი კინეტიკური ენერგიის ნაწილი გარდაიქმნება ზმს რხევათა ენერგიად).

მრავალრეზონატორიან გამრბენ კ-ს იყენებენ რადიოლოკაციაში, რადიოასტრონომიაში, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებში, ტელევიზიაში (უწყვეტი რეჟიმით მომუშავე კ.), ელემენტარული ნაწილაკების წრფივ ამჩქარებელში, სიმძლავრის ბოლო მაძლიერებლად შორეული მოქმედების რადიოლოკაციურ სადგურებში (იმპულსური რეჟიმით მომუშავე კ.) და ა. შ.; ორრეზონატორიან (გენერატორულ) გამრბენ კ-ს უმთავრესად იყენებენ პარამეტრულ მაძლიერებლებსა და რადიოშუქურებში.

ა მ რ ე კ ლ კ-ში (ნახ. 2) ელექტრონების ნაკადი გადის მოცულობითი რეზონატორის ღრეჩოში, მოდულირდება ზმს ელექტრული ველით და შემდეგ ხვდება ამრეკლის დამამუხრუჭებელ ველში, უკან აირეკლება ამ ველით და მეორედ გადის მოცულობითი რეზონატორის ღრეჩოს უკუმიმართულებით. ამ დროს ელექტრონების ნაკადი კინეტიკური ენერგიის ნაწილს გადასცემს ზმს ელექტრულ ველს.

ამრეკლ კ-ს უმთავრესად იყენებენ სუპერჰეტეროდინულ რადიომიმღებებში (ჰეტეროდინად), რადიოგადამცემებში (მავალებელ გენერატორად), რადიოლოკაციაში, რადიონავიგაციაში, გაზომვის ტექნიკაში (მცირე სიმძლავრის გენერატორად) და ა. შ. *გ. კიკვილაშვილი.*

კლისური, მდ. *ილასურის* ძველი სახელწოდება.

კლიტემნესტრა (Klytaimnēstra), ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში სპარტის მეფის ტინდარეოსის ასული, მშვენიერი ელენეს და, *აგამემნონის* ცოლი. ქმრის ლაშქრობაში ყოფნის დროს გაუმიჯნურდა აგამემნონის ბიძაშვილს ეგისთეს და ომიდან დაბრუნებული ქმარი მოკლა. მოგვიანებით მამის მოკვლისათვის შური იძია ორესტემ და დახოცა დედა და ბიძა. კ-ს თავგადასავალი აისახა ესქილეს (ტრილოგია „*ორესტეა*"), სოფოკლეს („ელექტრა") და ევრიპიდეს („ელექტრა") ტრაგედიებში.

კლიტია (Klitias), ძვ. წ. VI ს. II მეოთხედის ბერძენი (ატიკელი) ლარნაკმწერი, ადრინდ. შავფიგურიანი სტილის წარმომადგენელი. მუშაობდა *ერგოტიმეს* სახელოსნოში. ნამუშევრები: „ლარნაკი ფრანსუა", მითოლ. და ტროის ციკლის სიუჟეტებიანი კრატერი (ფლორენციის არქეოლ. მუზეუმი), „კილიკი დელფინით" (ანტ. განყ-ბა, ბერლინ-შარლოტენბურგი) და სხვ.

კლიუნიელთა ორდენი, X ს-ში დაარსებული მონაზვნური ორდენი, რ-ის ცენტრი იყო ბენედიქტელთა მონასტერი კლიუნიში (აქედან მოდის სახელწოდება), ბურგონში (საფრანგეთი, ბურგუნდია). აერთიანებდა ასეულობით მონასტერს უმთავრესად საფრანგეთში, ასევე გერმანიაში, ინგლისში, ჩრდ. იტალიასა და ესპანეთში. კ. ო-თან არის დაკავშირებული X ს. ბოლოსა და XI ს-ში კათოლ. ეკლესიის გასაძლიერებლად ჩატარებული გარდაქმნები.

კლიუჩევსკაია-სოპკა, მოქმედი ვულკანი კამჩატკის აღმ. ნაწილში. უმაღლესი (4750 *მ*) და ყველაზე აქტიურად მოქმედი ვულკანი ევრაზიაში. აქვს სწორი კონუსი, რ-ის კრატერი მუდმივად ბოლავს. ვულკანის ძირთან 70 გვერდითი კონუსი, გუმბათი და კრატერია. აგებულია ბაზალტური და ნაწილობრივ ანდეზიტური ლავებით. 270 წლის მანძილზე აღინიშნა 50-ზე მეტი ძლიერი ამოფრქვევა. ახასიათებს აქტ. ფუმაროლები და სოლფატარები. მწვერვალზე მუდმივი თოვლი და მყინვარებია. კ.-ს-ის ძირას, დაბა კლიუჩიში, სსრკ მეცნ. აკად. შორეული აღმოსავლეთის სამეცნ. ცენტრის ვულკანოლოგიის ინ-ტის ვულკანოლოგიური სადგურია.

კლიუჩევსკი ვასილი ოსიპის ძე [16 (28). I. 1841, პენზის გუბ., სოფ. ვოზნესენსკოე, —12 (25). V. 1911, მოსკოვი], რუსი ისტორიკოსი. 1865 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი. 1867 შეუდგა პედ. მოღვაწეობას. 1872 დაიცვა სამაგისტრო („ძველი რუსული წმინდანთა ცხოვრებანი როგორც ისტორიული წყარო"), 1882 — სადოქტორო („ძველი რუსეთის ბოიართა სათათბირო") დისერტაცია. 1882-იდან მოსკ. უნ-ტის რუს. ისტ. პროფესორი, 1889-იდან პეტერბ. აკად. წ.-კორ. 1900-იდან აკადემიკოსი.

კ-ს ისტ. შეხედულებები ჩამოყალიბდა რევ.-დემოკრ. იდეების გარკვეული გავლენით. კ-მ რუს. ისტორიოგრაფიაში პირველმა მიაქცია ყურადღება საზ-ბის ისტორიაში სოც. და ეკონ. ფაქტორებს. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი გეოგრ. ფაქტორს (ს. *სოლოვიოვის* გავლენით). კ-ს მეთოდოლოგიასა და ისტ. შეხედულებებს საფუძვლად ედო პოზიტივიზმი. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუს. ინტელიგენციასა და სტუდენტობაში.

თხზ.: Соч., т. 1—8, М., 1956—59.

კლიფი (ინგლ. cliff), ზღვის ტალღების მოქმედებით წარმოქმნილი აბრაზიული ფლატე. კ-ს ესაზღვრება *აბრაზიული ტერასა* — ბენჩი.

კლიშე (ფრანგ. cliché), საბეჭდი ფორმა, იყენებენ საილუსტრაციო ორიგინალების მაღალი ბეჭდვის ხერხით აღწარმოებისათვის. სარეპროდუქციო ორიგინალის ხასიათის მიხედვით კ. არის შტრიხული და რასტრული (იხ. *რასტრი*). შ ტ რ ი ხ უ ლ კ-ს იღებენ შტრიხებით შედგენილი გამოსახულებიდან (კალმით ნახატი, გრავიურის ანაბეჭდი, ნახაზი), რ ა ს ტ რ უ ლ კ-ს —ნახევარტონოვანი გამოსახულებიდან, რ-იც შედგება სხვადასხვა ნაჯერობის ელემენტებისაგან (ფოტოსურათი, აკვარელით ან ზეთის საღებავებით ნახატი). კ-ს აკეთებენ ხეზე (იხ. *ქსილოგრაფია*), ლინოლეუმზე (იხ. *ლინოგრავიურა*), თუთიაზე (ყველაზე მეტადაა გავრცელებული), თითბერზე, სპილენძზე, პლასტმასაზე.

კლიშეგრაფი, იხ. *ელექტრონული საგრავირებელი აპარატი.*

კლოაკა (ლათ. cloaca), 1. სიბინძურის სადინარის მიწისქვეშა არხი დიდ ქალაქებში. პირველი კ-ები გაჩნდა ბაბილონში, კართაგენში, იერუსალიმსა და ეგვიპტის ქ-ებში. ყველაზე ცნობილია ე. წ. „კ. მაქსიმა" (cloaca maxima), რ-იც ძვ. რომში აშენდა ძვ. წ. II ს-ში. 2. სიბინძურის, ნაგვის დასაყრელი ადგილი. 3. გადატანით, ამორალური გარემო, გახრწნილების ბუდე.

კლოაკა (ბიოლ.), ზოგი ცხოველის უკანა ნაწლავის გაფართოებული ნაწილი, რ-შიც იხსნება შარდსაწვეთები, სასქესო გზები (კვერცხსავალი ან თესლსავალი) და შარდის ბუშტი. კ. აქვს ზოგ მრგვალპირიანსა (მიქსინებს) და თევზებს (ზეიგენებს, ორგვარადმსუნთქავებს, ზღვის ნემსთევზას), ყველა ამფიბიას, ქვეწარმავალსა და ფრინველს; ძუძუმწოვრებიდან — *ერთგასაველიანებს.* დანარჩენ ძუძუმწოვრებს კ. მხოლოდ ემბრიონულ პერიოდში აქვთ; კ-ის წინა კედლის გამონაბურციდან ამფიბიებს უვითარდებათ შარდის ბუშტი, *ამნიონიანების* ჩანასახს კი — *ალანტოისი.*

3. კლიუჩევსკი.

კლოდელი (Claudel) პოლ ლუი შარლ მარი (6. VIII. 1868, ვილნევ-სიურ-ფერი, ენის დეპარტ., — 23. II. 1955, პარიზი), ფრანგი მწერალი. საფრ. აკად. წევრი 1946-იდან. 40 წელზე მეტხანს იყო დიპლ. სამსახურში. კ-ის დრამატურგიის სამყარო „თეოცენტრულია", პერსონაჟების ხვედრსაც და მათ მოქმედებასაც ღვთაებრივი ძალის ზემოქმედება განაპირობებს. მისი პიესების („ოქროს თავი", „ქალაები", „მეშვიდე დღის დასვენება" — სამივე გაერთიანდა კრებულში „ხე", 1901; „სატინის ფეხსაცმელი", 1919—24; „ჟანა კოცონზე", 1937—38) გმირები ამა თუ იმ იდეის გამომხატველი „რუპორები" არიან. მისი პოეტური ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „კანტატა სამ ხმაზე" (1913), „წმინდანთა ფურცლები" (1915—25), „მესა იქ" (1910) და სხვ. მასვე ეკუთვნის ესეი „აღმოსავლეთის შეცნობა" (1900—01). კ-ის შემოქმედების თავისებურებაა ორი საწყისის — პოეტურისა და რიტორიკულის შერწყმა. კ-მა შექმნა მეტაფიზ. შეხედულებების თავისებური სისტემა, რ-ის მიხედვით სამყარო განვითარებისას მუდმივი პარმონიისკენ მიისწრაფვის, ხოლო პიროვნება განიხილება ამ განვითარების საერთო პროცესის ნაწილად. იგი სრულიად გამორიცხავს გმირთა ფსიქოლ. ანალიზსა და დახასიათებას.

თხზ.: Œuvres complètes, t. 1—26. P., 1950—67.

ლიტ.: История французской литературы, т. 3—4, М., 1959—63; Guillemin H., Claudel et son art d'écrire, P., 1955.

გ. ბუაჩიძე.

კლოდტი (კ ლ ო დ ტ ფ ო ნ ი ურ გ ე ნ ს ბ ურ გ ი) მიხეილ კონსტანტინეს ძე [30. XII. 1832 (11. I. 1833), პეტერბურგი, — 16 (29). V. 1902, იქვე], რუსი ფერმწერი. პ. *კლოდტის* ძმისწუ-

---

სტატიები **კრემლი** და **კუბა** იხ. ქსე, ტ. 6.

მ. პ. კ ლ ო დ ტ ი. „უკანასკნელი გაზაფხული" 1861. ტრეტიაკოვის გალერეა.მოსკოვი.

ა. კლუბოვი.

ჟ. კ ლ უ ე უმცროსი. ფრანსუა I-ის პორტრეტი. დაახლ. 1525-30. ლუვრი. პარიზი.

მ. პ. კ ლ ო დ ტ ი. „სახნავზე". 1872. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ლი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1851—58). „პერედვიჟნიკების" ამხანაგობის წევრი — დამაარსებელი. რუს. სოფლის რეალისტური პეიზაჟების ავტორია. უმთავრესი ნამუშევრებია: „სახნავზე" (1872), „ტყე შუადღისას" (1876—78) — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, „პეიზაჟი ნახირით" (1869, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი).

კლოდტი (კ ლ ო დ ტ ფ ო ნ ი უ რ გ ე ნ ს ბ უ რ გ ი) მიხეილ პეტრეს ძე [17(29). IX. 1835, პეტერბურგი,—7 (20). I. 1914, იქვე], რუსი ფერმწერი, პ. *კლოდტის* შვილი. სწავლობდა ა. აგინის სახელოსნოსა და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1852—61, დროგამოშვებით). 1857—60 მუშაობდა პარიზში. პეტერბ. სამხატვრო აკად. პენსიონერი მიუნხენში (1862—65). 1895-იდან „პერედვიჟნიკების" წევრ-დამფუძნებელი. ავტორია სანტიმენტალური კომპოზიციებისა. უმთავრესი ნამუშევრებია: „ფინელი მეთევზეები" (1855), „ავადმყოფი მუსიკოსი" (1859), „უკანასკნელი გაზაფხული" (1861) — ყველა ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი.

კლოდტი (კ ლ ო დ ტ ფ ო ნ ი უ რ გ ე ნ ს ბ უ რ გ ი) პეტრე კარლის ძე [24. V (5. VI). 1805, პეტერბურგი,—8 (20). XI. 1867, მიზა ჰალალა, ფინეთი; დასაფლავებულია პეტერბურგში], რუსი მოქანდაკე, 1829-იდან ესწრებოდა ლექციებს, პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში, 1838-იდან იყო პროფესორი და ხელმძღვანელობდა საჩამოსხმელო სახელოსნოს. თავის ანიმალისტურ მონუმენტურ ქანდაკებაში ძირითადად კლასიციზმის მიმდევარია, თუმცა ცდილობს გადმოგვცეს უშუალო ცხოვრებისეული მომენტებიც. ნამუშევრები: ცხენების მომოვინიერებელთა ჯგუფი ანიჩკოვის ხიდზე (ბრინჯაო, 1830-იანი წწ., დაიდგა 1849—50, ლენინგრადი). ი. კრილოვის (ბრინჯაო, გრანიტი, 1848—55) და ნიკოლოზ I-ის (ბრინჯაო, 1856—59, ნ. რამაზანოვთან და რ. ზალემანთან ერთად, ლენინგრადი) ძეგლები.

კლონი (ბერძნ. klon — ტოტი, ყლორტი, ნაყარი), მემკვიდრულად ერთგვაროვანი ორგანიზმების (ან ქსოვილთა კულტურაში ცალკეული უჯრედის) თაობათა თანმიმდევრული მწკრივი, რ-იც მიიღება ერთი საერთო წინაპრისაგან უსქესო ან ვეგეტატიური გამრავლების გზით. კ-ის გამოყოფა გენოტიპურად ერთგვაროვანი მასალის მიღების ერთ-ერთი მეთოდია. მუტაციის გამო კ-ის ფარგლებში გენოტიპური ერთგვაროვნება რამდენადმე შეფარდებითია.

კულტ. მცენარეებში, რ-ებიც ვეგეტატიურად მრავლდებიან (მაგ., კარტოფილი), ხშირად ჯიში ცალკეულ კ-ს წარმოადგენს. მ ი კ რ ო ბ ი ო ლ ო გ ი ა ს ა და პ რ ო ტ ი ს ტ ო ლ ო გ ი ა შ ი კ-ს უწოდებენ ერთი ინიციალური უჯრედის შთამომავლობას.

კლოოსი (Cloos) ჰანს (8. XI. 1885, მაგდებურგი, — 26. IX. 1951, ბონი), გერმანელი გეოლოგი. დაამთავრა ფრაიბურგის უნ-ტი (1909). იყო ბონის უნ-ტის პროფესორი (1926-იდან). კ-მა ცენტრ. და დას. ევროპის დიდი ინტრუზიული სხეულების შესწავლის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ გრანიტული მასივების შიგა სტრუქტურის შესწავლით შესაძლებელია დავადგინოთ მათი ფორმა და შეჭრის მექანიზმი.

კლოპუშტოკი (Klopstock) ფრიდრიხ გოტლიბ (2. VII. 1724, კვედლინბურგი,— 14. III. 1803, ჰამბურგი), გერმანელი მწერალი. თავისი შემოქმედებით ნიადაგი მოუმზადა *„ქარიშხლისა და შეტევის"* ლიტ-რას. ეპოსით „მესიადა" (1773) დიდი ზემოქმედება მოახდინა თავისი დროის გერმ. ლიტ-რაზე. ლიტ-რის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კ-ის ურითმო ოდებს. 1792 საფრ. რესპუბლიკამ კ. თავის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

კლოუნადა (<ინგლ. clown, შესაძლოა ლათ. სიტყვიდან colonus—ხეპრე, სოფლელი ტეტია), საცირკო ხელოვნების ჟანრი. შედგება კომიკური სცენებისაგან, რ-ებსაც ასრულებენ კლოუნები ექსცენტრიკისა და ბუფონადის ხერხების გამოყენებით.

კ-ის საფუძველი ხალხურ ფარსშია. თეთრი კლოუნის ტრად. ნიღაბი აღებულია იტალ. *კომედია დელ'არტედან*, ფრანგ. და ინგლ. მოედნების თეატრებიდან; წითური კლოუნისა — გარეგნულად მოუხეშავი და მოუქნელი მასხარისაგან. კლოუნები მონაწილეობდნენ XVII—XVIII სს-ში. ცხენოსანთა და თოკზე მოსიარულეთა წარმოდგენებში შემდეგ კლოუნები იყენებდნენ გაწვრთნილ ცხოველებს, აკრობატიკას, მუს. ინსტრუმენტებს. კ-ის ნომრები თანდათან სატირულ და პუბლიც. შინაარსს იძენდა. კლოუნებს ყოფენ სოლო კლოუნებად (ასრულებენ მონოლოგებს, თამაშობენ მონო სკეტჩებს, მაყურებელს უჩვენებენ აკრობატულ ტრიუკებს, გამოჰყავთ გაწვრთნილი ცხოველები), კლოუნბუფუნებად, რ-ებიც ჯგუფებად (ორ-ორი, სამ-სამი ან მეტი) მუშაობენ. საბჭ. ცირკში კ-ის სატირული და პუბლიც. რეპერტუარი შერწყმულია მახვილ ბუფონადასთან. ცნობილი რუსი კლოუნები არიან ვ. და ი. დურეროვები, ო. ალპეროვი, მიშელი (მ. კალიადინი), მაქსი (მ. ფიოდოროვი), ძმები ლავროვები, კარანდაში (მ. რუმიანცევი), ო. პოპოვი, ი. ნიკულინი, ლ. ენგიბაროვი და სხვ. ქართულ საცირკო კოლექტივში — ა. თედიაშვილი.

კლუბი (ინგლ. club), საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რ-იც ნებაყოფლობით აერთიანებს ადამიანებს პოლიტიკური, სამეცნიერო, მხატვრული, სპორტული და სხვა ინტერესების საფუძველზე მათი ურთიერთობის მიზნით, აგრეთვე, მათი ერთობლივი დასვენებისა და გართობისათვის. კ. არსებობს საწვრო ანარიცხების ხარჯზე. პირველი კ-ები გაჩნდა ინგლისში XVI ს-ში. XVII ს. დასაწყისში დაარსდა ერთ-ერთი უძველესი ინგლ. კ. — „ფრაიდი სტრიტი", რ-ის წევრი იყო უ. შექსპირი. XVIII ს-ში აღმოცენდა ლიტ., შემდეგ —სპორტ. (იახტ-კ-ები და სხვ.) კ-ები. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლიტ. კ-ები საფრ. დიდი ბურჟ. რევ. პერიოდში („იაკობინელთა" კ.). აშშ-ში კ-ები გავრცელდა XVIII ს. II ნახევარში. 1891 ნიუ-იორკში დაარსდა მილიონერთა კ. „მეტროპოლიტენი" და სხვ. ქალთა კ-ები იღვწიან ქალთა ემანსიპაციისათვის; მუშათა კ-ები არსებობს პროფკავშირებთან, ხოლო საეკლ. კ-ები აერთიანებს მორწმუნე მუშებს.

პირველი რუს. კ. („ინგლისური კლუბი") გაიხსნა 1770 პეტერბურგში. მისი წევრები იყვნენ ნ. კარამზინი, ა. პუშკინი, ვ. ჟუკოვსკი, ი. კრილოვი. XIX ს-ში უკვე ყველა გუბერნიაში იყო სათავადაზნაურო და ოფიცერთა კ-ები, რ-თა წევრად გახდომა არც ისე ადვილი იყო. 60-იან წლებში გაჩნდა ვაჭართა კ-ები, სადაც თამაშობდნენ ბანქოს, ბილიარდს და სხვ.

მუშათა კ-ები რუსეთში შეიქმნა 1905—07 რევ. პერიოდში, მაგრამ რეაქციის შემოტევის დროს დაიხურა. ლეგალურად არსებობდა მხოლოდ ე. წ. სახ. სახლები და სახ. კითხვის სახლები, რ-ებსაც მესვეურობდა ლიბერ.-ბურჟ. ორგანიზაციები. იხ. აგრეთვე სტ. *საკლუბო დაწესებულებები.*

კლუბოვი ალექსანდრე თედორეს ძე (18. I. 1918, სოფ. იარუნოვო, ახლანდ. ვოლოგდის რ-ნი, ვოლოგდის ოლქი, — 1. XI. 1944, ლვოვი), საბჭ. მფრინავი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (13. IV. 1944 და 27. VI. 1945), კაპიტანი (1944). სკკპ წევრი 1943-იდან. დაამთავრა ჩუგუევის სამხ.-საავიაციო სასწავლებელი (1940). დიდ სამამულო ომში (1941—45) იყო მფრინავი, მე-10 და მე-16 გვარდიული გამანადგურებელი საავიაციო პოლკების რგოლის და ესკადრილიის მეთაური. მონაწილეობდა მოზდოკის, დნეპრის და ვისლის ბრძოლებში. 457-ჯერ გაფრინდა საბრძოლო დავალებით, გადაიხადა 95 საჰაერო ბრძოლა, პირადად ჩამოაგდო მტრის 31 თვითმფრინავი, ჯგუფურ ბრძოლებში — 19. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

კლუეები (Clouet), ან ჟ ა ნ ე ე ბ ი (Janet), აღორძინების ეპოქის ფრანგი ფერმწერები. ჟ ა ნ კ ლ უ ე უ ფ რ ო ს ი (გ. დაახლ. 1500) გაიგივებულია ე. წ. *მულენელ ოსტატთან.* ჟ ა ნ კ ლ უ ე უ მ ც რ ო ს ი (დაახლ. 1475, ნიდერლანდი, — დაახლ. 1540—41, პარიზი), ავტორია ფერწერული პორტრეტებისა, რ-ებიც გამოირჩევიან ხასიათის ზუსტი გადმოცემით, საზეიმო-სტატიკური პოზების ერთფეროვნებით (ქალბატონ დე ლოტრეკის პორტრეტი, კონდეს მუზეუმი, შანტიი). კ. ფრანსუა I-ის პირველი მხატვარი იყო (1523-იდან). ფ რ ა ნ ს უ ა კ ლ უ ე (1505 და 1510 შორის, ტური, — 22. IX. 1572, პარიზი), ჟან კლუეს შვილი და მოწაფე. 1540-იდან ფრანსუა I-ისა და მისი მემკვიდრეების კარის მხატვარი. მისი შედარებით თავისუფალი კომპოზიციით აგებულ ფერწერულ პორტრეტებში ხასიათების გადმოცემის სიზუსტე შერწყმულია პოზების დიდებულ სიმშვიდესთან და მდიდრული სამოსის ვირტუოზულ შესრულებასთან (ანრი II, 1559, უფიცის გალერეა, ფლორენცია; მეგფთიაქე პიერ კიუტი, 1562, ელისაბედ ავსტრიელი, დაახლ. 1571 — ორივე ლუვრი, პარიზი). კ-ის პორტრეტული ფერწერა ფრანგ. აღორძინების ერთ-ერთი მწვერვალია.

კლუზიუმი (Clusium), ძვ. ქალაქი ჩრდ. იტალიაში, შედიოდა ეტრუსკების 12 ქალაქის ფედერაციაში. იხსენიება ეტრუსკულ წარწერებში. ძვ. წ. 500, ეტრუსკების მეფის პორსენას დროს, დედაქალაქი იყო. ცნობილია მდიდარი ნეკროპოლებით („ფრანსუას აკლდამა" და სხვ.).

კლუჟი ((Cluj), ჟუდეცი ჩრდ.-დას. რუმინეთში, უმთავრესად ტრანსილვანიის პლატოზე. ფართ. 6,7 ათ. *კმ*². მოსახლ. 695,3 ათ. კაცი (1975). ადმ. ც.—ქ. კლუჟ-ნაპოკა. ფაიფურ-ქაშანურისა და მინის, საშენ მასალათა წარმოება, შავი მეტალურგია, ტყავ-ფეხსაცმლის, ცელულოზა-ქაღალდის, სამკერვალო, ხე-ტყისა და ხის დასამუშ., კვების მრეწველობა. იღებენ მურა ნახშირს, ქვამარილს, კირქვას. მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი. განვითარებულია მებაღეობა, მეცხოველეობა.

კლუჟ-ნაპოკა (Cluj-Napoca) (ყოფ. კ ლ უ ჟ ი), ქალაქი რუმინეთში, მდ. სო-

მეშულ-მიკის ნაპირზე. კლუჟის ეუდეცის ადმ. ცენტრი. მოსახლ. რაოდენობით ქვეყნის მეორე ქალაქი. 262 ათ. მცხ. (1977). ტრანსილვანიის დიდი სამრეწვ. და მნიშვნელოვანი კულტ. ცენტრი. განვითარებულია მანქანათსაშ. და კვების მრეწვ., ტყავ-ფეხსაცმლის, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ავეჯის, ქიმ., ფაიფურ-ქაშანურის, საშენ მასალათა წარმოება. უნ-ტი, ინ-ტები, რუმინ. სრ-ის აკად. ფილიალი, თეატრები, მუზეუმები, ბოტან. ბაღი. შემორჩენილია ციხესიმაგრის კედლების ნაშთი (XIII—XVII სს.), წმ. მიხეილის გოთიკური ეკლესია (XIV—XV სს., ჩრდ. კოშკი — ფსევდოგოთიკა, XIX ს.), კორვინების სახლი (XV—XVI სს.) და ფრანცისკელთა მონასტერი (XV—XVIII სს.), იეზუიტების ბაროკოს სტილის ეკლესია (1718—24) და ბანფის სასახლე (1774—85, არქიტ. ი. ბლაუმანი). აღსანიშნავია უნ-ტისა და თეატრის (ორივე XIX ს. დასასრ.) ეკლექტიკური ხასიათის შენობები, სასტუმრო „ნაპოკა" (1969) და სხვ.

კლუხორი, რუსეთ სტავროპოლის მხარის ქ. *კარაჩაევსკის* სახელწოდება 1957-მდე.

კლუხორის უღელტეხილი, უღელტეხილი აფხ. კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. კოდორის ხეობას აკავშირებს თებერდის ხეობასთან. სიმაღლე 2781 *მ*. აგებულია პროტეროზოური და ქვედაპალეოზოური კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. კ. შ-ის მიდამოებში ალპ. ლანდშაფტია. უღელტეხილზე გადადის *სოხუმის სამხედრო გზა*.

კმაყოფაზე მყოფი, მოქალაქე, რ-იც სხვის სრულ კმაყოფაზე იმყოფება ან სხვისგან იღებს საარსებო სახსრებს. ამა თუ იმ პირის კმაყოფაზე შეიძლება იყოს მისი ოჯახის წევრი, რ-ის რჩენაც მას კანონით ევალება (იხ. *ალიმენტი*); გარდა ამისა, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს კმაყოფაზე აიყვანოს ადამიანი, რ-იც ამგვარ დახმარებას საჭიროებს. როგორც წესი, სხვის კმაყოფაზე იმყოფებიან შრომისუუნარონი, ზოგჯერ — შრომისუნარიანიც (მაგ., მეუღლე, რ-იც მცირეწლოვან შვილებს უვლის). კმაყოფაზე ყოფნა გარკვეულ სამართ. შედეგს იწვევს როგორც კმაყოფაზე ამყვანის, ისე კმაყოფაზე აყვანილისათვის. მაგ., მოქალაქეს ეკუთვნის მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიის დანამატი, თუ მას კმაყოფაზე ჰყავს შრომისუუნარო; კ. შ. შრომისუუნარო ითვლება კანონისმიერ მემკვიდრედ (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მ. 544) და სხვ.

კმეტები, სოციალური კატეგორია შუა საუკუნეების სლავ ხალხებში; თავდაპირველად თემის, ტომის წევრები. ძვ. რუსეთში — რაინდები, მოლაშქრეები; ფეოდ. ბულგარეთსა და სერბიაში — სოფლის მამასახლისები. ბოსნიასა და ჩეხიაში — თანამდებობის პირები ან გლეხთა გარკვეული კატეგორია; პოლონეთში — დამოკიდებული გლეხები, რ-თაც მიწის მთლიანი ნაგელი ჰქონდათ; ხორვატიაში — უმეტესად დამოკიდებული გლეხები და ყმა გლეხები, იშვიათად — ვასალები.

კნაპი (Knapp) გეორგ ფრიდრიხ (7. III. 1842, გისენი, — 20. II. 1926, დარმშტადტი), გერმანელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, ახალი (ახალგაზრდა) ისტორიული სკოლის წარმომადგენელი ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიკოსთა სტრასბურგის სკოლის მეთაური. 1914—18 პოლიტ. ეკონომიისა და სტატისტ. პროფესორი სტრასბურგის უნ-ტში. კ. იკვლევდა აგრეთვე აგრ. ურთიერთობისა და ფულადი მიმოქცევის თეორიისა და ისტ. საკითხებს. შექმნა ფულის საკუთარი თეორია, სადაც ამტკიცებდა თითქოს ფულადი მიმოქცევის რეგულაციის გზით ბურჟ. სახელმწიფოს შეეძლო ქვეყნის სახ. მეურნ. მართვა (იხ. *ფული*).

კნიაჟნინი იაკობ ბორისის ძე [3 (14). X. 1742 ან 1740, ფსკოვი, — 14 (25). I. 1791, პეტერბურგი], რუსი მწერალი. რუს. აკად. წევრი (1783). კლასიციზმის წარმომადგენელი. აქვს ტრაგედიები [„დიდონა", 1769; „როსლავი", 1784; „ვადიმ ნოვგოროდელი", 1789 (ანტიმონარქისტული სულისკვეთებისათვის ეკატერინე II-ის ბრძანებით დაწვეს პიესის მთელი ტირაჟი)], კომედიები („მკვეხარა", 1784 ან 1785 და სხვ.). კ-ის ნაწარმოებები გამსჭვალულია პატრ. მოტივით, მებრძოლი სულით.

კნიდოსპორიდიები (Cnidosporidia), პარაზიტული უმარტივესების კლასი. მრავლდებიან სპორებით, რ-ებიც შეიცავენ ამებოიდურ ჩანასახს და ერთ ან რამდენიმე მსუსხავ კაფსულას. კაფსულის მსუსხავი ძაფის საშუალებით კ. ემაგრებიან მასპინძელი ცხოველის ნაწლავებს. პარაზიტობენ უხერხემლო ცხოველებისა და თევზების ქსოვილებსა და ორგანოებში, იწვევენ საშიშ დაავადებებს. კლასში 3 რიგია: მიქსოსპორიდიები (უმთავრესად თევზების პარაზიტები), მიკროსპორიდიები (უხერხემლოებისა და თევზების პარაზიტები) და აქტინომიქსიდიები (მცირეჯაგრიანი ჭიების პარაზიტები), რ-ებიც აერთიანებენ 1000-ზე მეტ სახეობას.

კნინობითი, სახელის გრამატიკული ფორმა, რ-იც საგანს მცირე, შემცირებული ზომის ან მოცულობის მქონედ წარმოგვიდგენს. ქართ. ენაში კ-ს აწარმოებს სუფიქსები -ა (დედოფალ-ა), -აკ- (წიგნ-აკ-ი), -უკ- (ბუშტ-უკ-ი), -უნ- (წალდ-უნ-ა) და სხვ. კ-ის წარმოება თანამედროვე სალიტ. ქართულში არაპროდუქტიულია (გამოიყენება ტერმინოლოგიაში: ნაწილაკი, თავაკი...). შემორჩენილია ზოგ დიალექტში. კ-ის სუფიქსები სიტყვას ანიჭებს აგრეთვე გარკვეულ ემოციურ ელფერს და კონტექსტის მიხედვით გამოხატავს ალერსს ან დამცირებას (დედილო, კაცუნა).

კნიპერ-ჩეხოვა ოლგა ლეონარდის ასული [9 (21). IX. 1868, გლაზოვი, ახლანდ. უდმ. ასსრ, — 22. III. 1959, მოსკოვი], რუსი საბჭ. მსახიობი. სსრკ სახ. არტისტი (1937). ა. ჩეხოვის მეუღლე. დაამთავრა მოსკ. საფილარმონიო საზ-ბის მუს.-დრამ. სასწავლებლის დრამ. განყ-ბა (1898, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს კლასი). იმავე წელს ჩაირიცხა მოსკ. სამხატვრო თეატრის დასში. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი, ახასიათებდა დახვეწილი ლირიზმი, მაღალი პროფ. ოსტატობა. პირველმა განასახიერა სცენაზე ა. ჩეხოვის გმირები: არკადინა („თოლია", 1898), ელენე ანდრიას ასული („ძია ვანია", 1899), მაშა („სამი და", 1901), რანევსკაია („ალუბლის ბაღი"), სარა („ივანოვი", ორივე 1904). გარდა ამისა, დიდი წარმატებით შეასრულა ელენეს (გორკის „მდაბიონი", 1902), ნასტიას (გორკის „ფსკერზე"), ნატალია პეტრეს ასულის (ტურგენევის „ერთი თვე სოფლად", 1909) და სხვ. როლები. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და სხვა ორდენებით.

ლიტ.: Переписка А. П. Чехова с О. Л. Книппер, т. 1—2, М., 1934—36; Щепкина-Куперник Т. Л., О. Л. Книппер-Чехова в ролях пьес А. П. Чехова, წგნ.: Ежегодник Московского Художественного театра. 1945, т. 1, М.—Л., 1948.

კნიპოვიჩი ლიდია მიხეილის ასული [15 (27). XII. 1856, სოფ. ტიუსბიუ, ნიულანდის გუბ., ფინეთი, — 9. II. 1920, სიმფეროპოლი], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთში. 70-იანი წლების დასასრულს ხალხოსანი იყო. 1889-იდან ეწეოდა რევ. მოღვაწეობას პეტერბურგში. 1896 გადაასახლეს „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" გამოცემათა ბეჭდვის ორგანიზაციისათვის. 90-იან წლებში სოციალ-დემოკრატი გახდა. პარტ. მუშაობას ეწეოდა ასტრახანში, ტვერსა და სამარაში (იხ. *„ისკრის" აგენტები*). იყო რსდმპ II ყრილობის დელეგატი (1903), ისკრელი მეუმრავლესე, 1905 — რსდმპ ოდესის კომიტეტის მდივანი, ტამერფორსის კონფერენციისა (1905) და IV ყრილობის (1906) დელეგატი. 1911—13 გადასახლებული იყო პოლტავის გუბერნიაში, შემდეგ მძიმე ავადმყოფობის გამო ცხოვრობდა ყირიმში.

კნიპოვიჩი ნიკოლოზ მიხეილის ძე [25. III (6. IV). 1862, სვეაბორგი, ახლანდ. სუომენლინა, ფინეთი, — 23. II. 1939, ლენინგრადი], საბჭ. ზოოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1935). სსრკ ევრ. ნაწილის ზღვების მეცნიერული რეწვისა და კვლევის ორგანიზატორი. კ-ის შრომები ეხება ჩრდ. ყინულოვანი ოკეანის, ბარენცის, კასპიის, აზოვისა და შავი ზღვების ჰიდროლოგიისა და ამ ზღვებში რეწვის საკითხებს, აგრეთვე ზღვის უხერხემლო ცხოველთა ბიოლოგიის პრობლემებს, ჩრდ. ზღვების გეოლ. წარსულს.

ფ. კლუე. ფრანსუა II-ის პორტრეტი. იტალიური ფანქარი. სანგინა. დაახლ. 1553. ესტამპების კაბინეტი. პარიზი.

კნისი (Knies) კარლ გუსტავ ადოლფ (29. III. 1821, მარბურგი, — 3. VIII. 1898, ჰაიდელბერგი), გერმანელი ეკონომისტი, ბურჟ. პოლიტეკონომიაში *ისტორიული სკოლის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. ფრაიბურგისა (1855—60) და ჰაიდელბერგის უნ-ტების (1865—96) პროფესორი. ვულგ.-ისტ. მეთოდის პოზიციიდან ცდილობდა დაესაბუთებინა პოლიტ. ეკონ. გადაკეთების აუცილებლობა, იგი უარყოფდა ეკონ. კანონების ობიექტურ ხასიათს და ამტკიცებდა, რომ პოლიტ. ეკონომიას შეუძლია მხოლოდ აღწეროს ეკონ. მოვლენების ევოლუცია, მას არ ძალუძს მოგვცეს მათი ანალიზი. იცავდა თეზისს ბურჟ. საზ-ბის სოციეკონ. საფუძვლების მარადისობის შესახებ. კ. ფულის მეტალისტური თეორიის მომხრე იყო.

ო. კნიპერ-ჩეხოვა. რანევსკაიას როლში (ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი").

კნობელსდორფი (Knobelsdorff) გეორგ ვენცესლაუს ფონ (17. II. 1699, მამული კუკედელი, კროსენის მახლობლად, საქსონია, — 16. IX. 1753, ბერლინი), გერმანელი არქიტექტორი. 1740-იდან პრუსიის სამეფო სასახლეებისა და პარკების მთავარი მცველი. ადრინდ. კლასიციზმის წინამორბედი. შექმნა სადა და მოხდენილფასადებიანი ნაგებობები, ინტერიერებს აფორმებდა *როკოკოს* სტილით (შარლოტენბურგის სასახლის ახ. ფლიგელი, 1740—43 და საოპერო თეატრი, ახლა სახელმწ. ოპერა, 1741—43 ბერლინში; სანსუსის სასახლე, 1745—47 და ქალაქის მუზეუმი, 1745—51, პოტსდამში).

კნოლევი, სოფელი ქარელის რ-ნში (ავლევის სოფსაბჭო), მდ. ფრონის ხეობაში. ზ. დ. 780 *მ*, ქარელიდან 31 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. ბრეძის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, ბ-კა. კ-შია ღვთისმშობლის ეკლესია. მდ. ფრონის მარჯვ. მხარეს, გორაზე, გვიანდ. ბრინჯაოს, ადრინდ. რკინის ხანის არქეოლ. ნაშთებია.

ლ. კნიპოვიჩი.

კნორინგი კარლ თედორეს ძე (გ. 1805 შემდეგ), გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოში რუს. ჯარების პირველი მთავარსარდალი. 1799 მარტში დანიშნეს კავკ. ქვეითი ჯარის ინსპექტორად და კავკ. ხაზის სარდლად. ამ თანამდებობებზე ყოფნისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართვ. რუსეთთან შეერთების საქმეში. შემდეგ დანიშნეს მთავარსარდლად და სამოქალაქო საქმეთა მთავარმართებლად, მაგრამ საქმეს თავი ვერ გაართვა და უკმაყოფილება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე პეტერბურგში. 1805 დამდეგს გადააყენეს.

ნ. კნიპოვიჩი.

კნოსოსი (ბერძნ. Knōsos, Knōssos), ძვ. ქალაქი ჩრდილოეთ კრეტის ცენტრალურ ნაწილში, ეგეოსის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. გათხარეს 1900—30 (ინგლ. არქეოლოგი ა. ევანზი). დასახლება არსებობდა ნეოლითის ხანიდან; ადრინდ. მინოსურ პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. 3000/2800—2200/2000) კ. მნიშვნელოვნად გაიზარდა. შუა მინოსური პერიოდის დასაწყისში (დ.ახლ. ძვ. წ. 2200/2000) იგი ძლიერი სამეფოს დედაქა-



კნოსოსი. მმართველთა სასახლე. ჩრდილოეთის შესასვლელი. ძვ. წ. XVI ს.

კნოსოსი. სასახლის საწყობი. ძვ. წ. XX—XVII სს.

ი. კნუნიანცი.

კოატი (Ateles geoffroyi).

ლაქი გახდა. განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ბერძნულ პერიოდში (დაახლ. ძვ. წ. 1600—1470). ‑ის მმართველთა სასახლეში (ძირითადი ნაწილი განეკუთვნება ძვ. წ. 2000; მიწისძვრის შემდეგ აღდგენილია დაახლ. ძვ. წ. 1470; ხანძარმა გაანადგურა ძვ. წ. 1380) განლაგებული იყო კრეტის სახელმწიფოს სამეურნეო, ადმ. და პოლიტ. ცენტრი (ფართობი 16000 $მ^2$). გათხრების შედეგად გამოვლინდა მრავალსართულიანი საცხოვრ. და სამეურნეო ნაგებობანი, კიბეები, შიდა ეზოები, დარბაზი, სადაც სამეფო ტახტი იდგა, საწყობები, სახელოსნოები, წყალსადენები და სხვ. აგრეთვე შრომისა და ბრძოლის იარაღი, საყოფაცხოვრებო საგნები, ე. წ. ‑ის სასახლის არქივი. გაითხარა აგრეთვე ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ. მცირე სასახლე, სამეფო ვილა, ე. წ. ქარვასლა, ქვის საცხოვრ. სახლები.

ლიტ.: Златковская Т. Д., У истоков европейской культуры, М., 1961; Пендлбери Дж., Археология Крита, пер. с англ., М., 1950.

კნუდ I დიდი (Knud den Store) (დაახლ. 995—12. XI.1035, შეფტსბერი), დანიის მეფე 1018-იდან, ინგლისისა 1016-იდან (Canute the Great) და ნორვეგიისა 1028-იდან. დან. მეფის სვენ I წვერფიწალას ძე. მამასთან ერთად მონაწილეობდა ინგლ. დაპყრობაში (1013-იდან), სადაც გამეფდა ინგლ. მეფის ედმუნდ რკინისგვერდიანის სიკვდილის შემდეგ. ეყრდნობოდა წვრილ მიწათმფლობელებს, მფარველობდა სას. წოდებას. დანიაში გამეფდა თავისი ძმის, ჰარალდ II-ის სიკვდილის შემდეგ. მის დროს დაიწყო დანიაში ფულის რეგულარული მოჭრა: შეადგინა განსაკუთრებული ჯარი ტინგლიდი (დიდგვაროვანთა ოჯახების წარმომადგენელთაგან — რაინდობის ჩანასახი დანიაში). ნორვეგიიდან გააძევა ოლაფ II ჰარალდსონი. ‑ I-ის სიკვდილის შემდეგ მისი უზარმაზარი სახელმწიფო დაიშალა.

კნუნიანცი ბოგდან მირზაჯანის ძე [14 (26). XI. 1878, ჯამიათი, შუშის მახლობლად, ახლანდ. მთიანი-ყარაბაღის აო.,— 14 (27). V. 1911, ბაქო], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთში, ბოლშევიკი. 1896-იდან სწავლობდა პეტერბ. ტექნოლ. ინ-ტში. 1897 შევიდა პეტერბ. „შუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირში". 1901 გაზაფხულზე გააძღვანა ბაქოში, სადაც რსდმპ კავკ. კავშირის ბაქოს საქალაქო კომიტეტის წევრი გახდა. 1902 მონაწილეობდა *სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის* შექმნაში. იყო რსდმპ II ყრილობის დელეგატი ბაქოს პარტორგანიზაციიდან, ისკრელი მეუმრავლესე. 1904 თებ. დააპატიმრეს მოსკოვში. 1905 მარტში სასამართლოზე წარმოთქვა მამხილებელი სიტყვა ცარიზმის წინააღმდეგ. 1905 სექტ-ში იყო რსდმპ პეტერბ. კომიტეტის, პეტერბ. შუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი. 1905 დეკ. კვლავ დააპატიმრეს და სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. 1907 გაიქცა საზღვარგარეთ. მონაწილეობა მიიღო II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის (1907), რსდმპ IV კონფერენციის (1907, ჰელსინგფორსში) მუშაობაში. შემდეგ მოღვაწეობდა ბაქოში, სადაც 1910 დააპატიმრეს. გარდაიცვალა ციხეში.

თხზ.: Избр. произв. 1903—1911, Ер., 1958.

ლიტ.: Шаумян С. Г., Избр. произв., т. 1, М., 1957.

კნუნიანცი ივანე ლიუდვიგის ძე [დ. 22. V (4. VI). 1906, შუშა], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953); ინჟინერი გენ.-მაიორი, სოც. შრომის გმირი (1966). სკკპ წევრი 1941-იდან. სსრკ მეცნ. აკად. ელემენტორგ. ნაერთების ინ-ტის ლაბორ. გამგე. 1928 დაამთავრა მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი. წამოაყენა პირიდინის ბირთვში სხვადასხვა რადიკალის შეყვანის ახ. მეთოდები. შექმნა γ-აცეტოპროპილის სპირტის მიღების ახ. ხერხი, მის მიერ სინთეზირებულ ზოგიერთ ამინმჟავასა და პოლიპეპტიდს. რ-ებიც შეიცავენ *დი-β*-ქლორეთილამინის დაჯგუფებას, იყენებენ ქიმიოთერაპიულ საშუალებად. შეიმუშავა ელექტროქიმ. მეთოდით ფოორორგ. ნაერთების სინთეზი და შექმნა მთელი სამეცნ. სკოლა ამ ნაერთების დარგში. ლენინური პრემია (1972), სსრკ სახელმწ. პრემიები (1943, 1948 და 1950). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Несмеянов А. Н., Кабачник М. И., Академик Кнунянц, кн. Пути в незнаемое. Писатели рассказывают о науке, сб. 4, М., 1964.

კოაგულანტი, ნივთიერება, რ-ის შეყვანა თხევად გარემოში იწვევს ამ გარემოში არსებული რომელიმე სხეულის წვრილი ნაწილაკების *კოაგულაციას*. ‑ს წყლის გასასუფთავებლად იყენებენ.

კოაგულატი, ნალექი, რ-იც წარმოიქმნება ფანტელის ან კომტის სახით კოლოიდური ხსნარის *კოაგულაციისას*.

კოაგულაცია (ლათ. coagulatio — აჭრა, აშრატება), კოლოიდურ სისტემაში ნაწილაკების შეწებება მათი სითბური (ბროუნის) მოძრაობით განპირობებული დაჯახებების დროს, შერევისას ან გარე ძალურ ველში მათი მიმართული გადაადგილების შედეგად. ‑ის შედეგად უფრო წვრილი (პირველადი) ნაწილაკებისაგან წარმოიქმნება უფრო მსხვილი (მეორეული) ნაწილაკები. კოლოიდური ნაწილაკების შემდგომ გამსხვილებას მოჰყვება სადისპერსიო არეში დისპერსიული ფაზის გამოლექვა. თუ კოლოიდური ნაწილაკები სითხის წვეთებია ან აირის ბუშტები, მაშინ ‑ის დროს მოხდება მათი შერწყმა, რასაც კ ო ა ლ ე ს ც ე ნ ც ი ა ეწოდება. ‑ის მნიშვნელობა მეტად დიდია. მას არსებითი როლი ენიჭება ატმ. და გეოლ. პროცესებში. კვების მრეწვ. მრავალი პროდუქტის მომზადება დაკავშირებულია ‑ის პროცესთან.

კოალა, ძუძუმწოვართა გვარი *ჩანთოსნების* რიგისა. იგივეა, რაც *ჩანთოსანი დათვები*.

კოალიცია (გვიანდ. ლათ. coalitio — კავშირი), 1. ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რომელიმე სხვა სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა ჯგუფის წინა. ღმდეგ (მაგ., ანტიჰიტლერული კოალიცია). 2. შეთანხმება პოლიტ. პარტიებს შორის; ბურჟ. სახელმწიფოში ხშირად იყენებენ მრავალპარტ. სისტემის პირობებში, როცა არც ერთ პარტიას არ ჰყავს პარლამენტში უმრავლესობა.

კოარტიკულაცია [ლათ. co(cum) — ერთად და *არტიკულაცია*], სხვადასხვა სამეტყველო ბგერის საწარმოთქმო მოძრაობათა ერთდროულად შესრულება. სიტყვაში ბგერა წარმოითქმის მეზობელ ბგერათა წარმოების ფონზე: მოცემული ბგერის არტიკულაციას ემთხვევა წინამავალი ბგერის არტიკულაციის დამთავრებისა და მომდევნო ბგერის არტიკულაციის ჩასახვის მომენტები. ‑ ვრცელდება ერთმანეთისაგან გათიშულ ბგერებზეც. მაგ., სიტყვაში „სტუმარი" ს-ს წარმოთქმისას უკვე იწყება უ ხმოვნის წარმოთქმისათვის საჭირო ბაგეთა წინ წამოწევა.

კოატა (Ateles), ძუძუმწოვრების გვარი *პრიმატების* რიგისა. მათი სიგრძე 34—66 *სმ* აღწევს. აქვთ პატარა თავი, გრძელი კიდურები და მოსაჭიდი კუდი. უმეტესობა შემოსილია უხეში და მეჩხერი, ზოგი კი რბილი და ხშირი ბალნით. სხვადასხვა ფერისა არიან ერთი სახეობის ფარგლებშიც კი. ბინადრობენ ცენტრ. და სამხრ. ამერ., მექს. ტყეებში. გვარში 4 სახეობაა. იკვებებიან წვნიანი ნაყოფით, კაკლით, ყვავილებით, მწერებით. კუდით შეუძლიათ საკვების მცირე ულუფის პირთან მიტანა. მაკეობა 140 დღემდე გრძელდება. შობენ 1 ნაშიერს, რ-საც მშობელი თან ატარებს თითქმის 4 თვე.

კოაქსიალური კაბელი [ლათ. co (cum) — ერთად და axis—ღერძი], *კაბელი*, რ-შიც ელექტრული წრედის ორივე გამტარი 2 თანაღერძელი ცილინდრია (ნახ.). გამტართა ასეთი განლაგება უზრუნველყოფს ‑ ‑ის მაგნ. ველის თავმოყრას მ. შ. სივრცეში, ე. ი. გარე მაგნ. ველი არ არსებობს, ამიტომ ‑ ‑ის ირგვლივ სივრცეში გამოსხივებისას დანაკარგი არ არის. ამასთან, გარე გამტარი ელექტრომაგნ. ეკრანიცაა. ივი იცავს ელექტრულ წრედს გარე ზემოქმედებისაგან. ‑ ‑ დაბრკოლებამდგრადია. ასეთი კაბელით გადაცემული სიგნალების ენერგიის დანაკარგი უმნიშვნელოა. ‑ ‑ს იყენებენ შორეული კავშირგაბმ. ხაზებზე ელექტრული სიგნალების გადასაცემად, რადიოელექტრონული და სატელევიზიო აპარატურის საანტენო-საფიდერო მოწყობილობებში და ა. შ.

ო. ღამბაშიძე.

კობაიძე არსენ ალექსის ძე (დ. 19. XII. 1916, სოფ. ზემო ქედი; სიღნაღის მაზრა, ახლანდ. წითელწყაროს რ-ნი), ქართველი აგრონომი, სოციალ. შრომის გმირი (1971), ზემო ქედის ი. სტალინის სახ. კოლ-ბის გამგეობის თავ-რე (1948-იდან). სკკპ წევრი 1939-იდან. ემირობა მიენიჭა VIII ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

კობალაური, სოფელი აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნში (ჭახათის სოფსაბჭო), მდ. კინტრიშის ხეობაში. ზ. დ. 500 *მ*, ქობულეთიდან 22 *კმ*. ჭახათის კოლ-ბა (მეხილეობა, მეფუტკრეობა). საშ. სკოლა (ინტერნატით) სოფ. ჭახათში (6 *კმ*).

კობალაძე იუსუფ ომერის ძე [დ. 12. V (29. V). 1906, სოფ. ხუცუბანი, ქობულეთის რ-ნი], ქართველი საბჭ. მსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1955). სკკპ წევრი 1945-იდან. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1925 ბათუმში. 1932—35 სწავლობდა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებულ სტუდიაში (ხელმძღვ. ს. ახმეტელი), პარალელურად (1937-მდე) გამოდიოდა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე, 1937-იდან დღემდე ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. დრამ. თეატრის მსახიობია. გამოირჩევა დიდი სცენური მომხიბვლელობით, ტემპერამენტით, გარდასახვის უნარით. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებს გმირულ-რომანტ. და ტრაგიკულ როლებს. მის მიერ შექმნილი ოიდიპოს მეფის სახე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე") ქართ. საბჭ. თეატრის მონაპოვრად ითვლება. შეასრულა ოტელოს (შექსპირის „ოტელო"), ურიელ აკოსტას (გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), ბახას (ვაჟაფშაველას „მოკვეთილი"), გოჩას („ხეკისბერი გოჩა" ა. ყაზბეგის მიხედვით), არსენას (ს. შანშიაშვილის „არსენა"), ბარათელის (გ. ხუხაშვილის „მოსაჩართლე") და სხვ. როლები. 1957-იდან მოღვაწეობს კინოში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, 2 „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: ჩხეიძე ჯ., იუსუფ კობალაძე, თბ., 1962.

კობალაძე სერგო გიორგის ძე [დ. 1 (14). IX. 1915, ქ. ოზურგეთი, ახლანდ. მახარაძე], ქართველი საბჭ. თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1958), პროფესორი (1961), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1939-იდან. 1939 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი 1941—43 მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში; 1943—52 იყო საქართვ. მედ. მუშაკთა პროფკავშირის რესპ. კომიტეტის თავ-რე, 1952—53 —თბილ. ვაქცინებისა და შრატების სამეცნ. კვლ. ინ-ტის, ხოლო 1953—54 თბილ. სამედ. ინ-ტის დირექტორი. 1965-იდან ამავე ინ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგეა. 1972-იდან ხელმძღვანელობს საქ. სსრ მეცნ. აკად. კლინიკური და ექსპერ. ფარმაკოთერაპიის განყ-ბას. ‑ შეისწავლის სამკურნალო საშუალებათა ეფექ-

ტურობის დადგენის, რაციონალური დოზირების შემუშავების და მოქმედების მექანიზმის ფარმაკოლოგიური ანალიზის გზებს. გულის იშემიური დაავადების კლინიკური და ექსპერ. ფარმაკოთერაპიის დარგში გამოკვლევებისათვის 1980 მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია მედლებით.

თხზ. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების ახალი სამკურნალო საშუალებები, თბ., 1960. Морфологическое обоснование действия некоторых коронарорасширяющих препаратов, Тб., 1973 (თანაავტ.).

კობალაძე ფატმა მურადის ასული (დ. 2. XI. 1927, ბათუმი), ქართველი საბჭ. მოცეკვავე. საქ. სსრ სახ. არტისტი (1976). 1939 დაამთავრა ბათუმის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. (ხელმძღვ. ჩუტაკაძე, ყორღანოვი). 1944-იდან აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ансамблის წამყვანი მოცეკვავეა. მაღალი პროფ. ოსტატობით და ფაქიზი გემოვნებით ასრულებს აჭარულ ხალხურ ცეკვებს (განდაგანა და სხვ.).

კობალთა, სოფელი აჭარის ასსრ შუახევის რ-ნში (შუბანის სოფსაბჭო), სხალთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ჩირუხისწყლის ხეობაში. ზ. დ. 1520 *მ*, შუახევიდან 31 *კმ*. შუბანის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. შუბანში (2 *კმ*). კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კობალტი (Cobaltum), Co, ელემენტთა პერიოდული სისტემის VIII ჯგ. პირველი ტრიადის ქიმ. ელემენტი. ატ. ნომერი 27, ატ. მასა 58,933, მოვერცხლისფრო ლითონი, $t_{დნ}$ 1493°C, $t_{დუღ}$ 3100°C, სიმკვრივე 8900 *კგ/მ*³. ბუნებაში ცნობილია კ-ის ერთი მდგრადი იზოტოპი ^{59}Co, ხელოვნურად მიღებული რადიოაქტ. იზოტოპებიდან მნიშვნელოვანია ^{60}Co.

კ-ის ჟანგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. მას ხმარობდნენ მინის, მინანქრისა და სხვ. საღებავად (ლურჯ ფერად). ლითოსფეროში კ-ის შემცველობა მასის მიხედვით 1,8·10⁻³%-ია. ცნობილია კ-ის დაახლ. 30 მინერალი.

ნაერთებში კ. ამჟღავნებს ცვალებად ვალენტობას, რ-თაგან მდგრადია ორვალენტოვანი ნაერთები. ჩვეულებრივ ტემპერაზე კ. მდგრადია წყლისა და ჰაერის მოქმედების მიმართ, ხოლო 300°C-ზე ზევით ჰაერზე იჟანგება. წითლად ვარვარის ტემპერაზე კ.შლის წყლის ორთქლს: $Co + H_2O = CoO + H_2$. გახურებისას ჰალოგენებთან წარმოქმნის ჰალოგენიდებს. განზავებულ მარილ- და გოგირდმჟავაში კ. ნელა იხსნება და წარმოქმნის წყალში ხსნად კ-ის მარილებს: ქლორიდსა $CoCl_2$ და სულფატს $CoSO_4$.

კ-ის მიღების მთავარი წყაროა ნიკლის საბადოები, რ-ებიც კ-ს შეიცავს მინარევის სახით. კ-ს ძირითადად იყენებენ შენადნობების სახით.

კობალტიანი სასუქი, იხ.სტ. *მიკროსასუქი*.

კობალტინი, კობალტის კრიალა, სულფიდების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა CoAsS. ხშირად შეიცავს Fe და Ni. კრისტალდება კუბურ სინგონიაში. კრისტალები კუბური, ოქტაედრული და პენტაგონდოდეკაედრული აქვს, აგრეგატები — მკვრივი. კ. კალისებრ თეთრია, გადაკრავს ვარდისფერი. ელვარება — ლითონური. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 5—6; სიმკვრივე 6100—6400 *კგ/მ*³. წარმოიქმნება ჰიდროთერმული გზით. გვხვდება კონტაქტ-მეტასომატურ საბადოებში. კ-ის საბადოებია კანადაში, ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში და შვეიცარიაში. კ. კობალტის ძირითადი მადანია.

კობალტის შენადნობები, კობალტის ფუძეზე დამზადებული შენადნობები; იყენებენ მაღალი ტემპ-რის პირობებში მომუშავე დეტალების (მაგ., ტურბორეაქტიულ ძრავათა ნიჩბების), პრესფორმების და სხვ. დასამზადებლად. Co-Cr-C სისტემის N, Mo, Nb ან Ni-ით ლეგირებული კობალტის შენადნობები ყოველთვის შეიცავს 0,2—1,0%-მდე C, რის გამოც მათთვის დამახასიათებელია კარგი სამსხმელო თვისებები, კარბიდული ფაზით გასალების უნარი და მაღალდისპერსიული ჰეტეროგენული სტრუქტურა. კობალტი მხურვალმტკიცე და მხურვალმედეგ შენადნობთა აუცილებელი მდგენელია. კ. შ. მხურვალმტკიცობას 1100°C-მდე ინარჩუნებს. კობალტის სტელიტებს (30%Cr, აგრეთვე W, Si და C) იყენებენ იარაღებსა და დეტალებზე დასადუღებლად მათი ცცეთამედეგობის გაზრდის მიზნით. მაგნიტურ მასალაში Co ძირითადი ან მალეგირებელი ელემენტია. Co—Pt შენადნობს 1200°C ტემპ-რაზე ზეთში წრთობისა და 650°C-ზე მოშვების შემდეგ მაღალი კოერციტიული ძალა (2650 *ე*) აქვს. მისგან ამზადებენ ძალიან მოკლე მუდმივ მაგნიტებს. ხოლო 50%Co, 38,5 ან 35%Fe და 9,5 ან 13%V შენადნობიდან —მცირე კვეთის მუდმივ მაგნიტებს. უკანასკნელ ხანებში დიდი სიმძლავრის მუდმივი მაგნიტების დასამზადებლად იყენებენ იშვიათ მიწა ლითონებისა და კ. შ-ს, რ-თაც ფხვნილთა მეტალურგიის მეთოდით ამზადებენ.

მ. ცქიტიშვილი.

კობანი (Cobán), ქალაქი გვატემალაში, მდ. კობანის ხეობაში, 1300 *მ* სიმაღლეზე. ალტა-ვერაპასის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 44 ათ. მცხ. (1973). სას.-სამ. რ-ნის (უმთავრესად ყავა) სავაჭრო ცენტრი. ხელოსნობა. დაარსდა 1538.

კობაძე, სოფელი თელავის რ-ნში (თეთრი წყლების სოფსაბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1400 *მ*, თელავიდან 19 *კმ*. თეთრი წყლების მეხილეობა-მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. თეთრ წყლებში (1 *კმ*).

კობახიძე ბადრი პეტრეს ძე (დ. 8. VI. 1926, სოხუმი), ქართველი საბჭ. მსახიობი და რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1977). სკკპ წევრი 1967-იდან. 1948 დაამთავრა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1963 კი — სარეჟისორო ფაკ-ტი. 1948-იდან მსახიობად მუშაობს რუსთაველის სახ. თეატრში. როლებიდან აღსანიშნავია გეგელა (გ. ჯაფარიძის „ჩვენებურები"), ოსიკო (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"), ალამპამად-ხანი (აფხაიძის „არაგველები"), დონ ენრიკე (ფლეჩერის „ესპანელი მღვდელი"), მწყემსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"). რუსთაველის თეატრში დადგა რ. ნუშის „წვიმის გამყიდველი", ი. შტოკის „ღვთაებრივი კომედია", ა. ჩხაიძის „დაბრუნება".

შ. ცუცქირიძე.

კობახიძე გრიგოლ ბეგლარის ძე (დ. 15. V. 1910, სოფ. ხეთა, ხობის რ-ნი), სსრკ სახალხო მასწავლებელი (1979), საქ. სსრ სკოლის დამს. მასწავლებელი (1959). სკკპ წევრი 1940-იდან. თბილისის 77-ე საშ. სკოლის დირექტორი (1941-იდან). კ. ავტორია ნაშრომებისა სკოლათმცოდნეობისა და ფიზ. სწავლების მეთოდიკის დარგებში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და „საპატიო ნიშნის" ორდენით, ნ. კრუპსკაიას სახ. მედლით.

კობახიძე დავით ნესტორის ძე (2. IX. 1911, ქუთაისი,—2. IX. 1970, თბილისი), საბჭოთა ენტომოლოგი და ზოოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1941), პროფესორი (1943), საქ. სსრ მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1939-იდან. მისი ძირითადი გამოკვლევები მიეძღვნა საქართ. უხერხემლო ცხოველთა სამყაროს შესწავლას—სისტემატიკის, ფაუნისტიკის, ეკოლ., ბიოცენოლოგიის, ეკოლ. მორფოლ. და მცენარეთა დაცვის საკითხებს. კ-მ პირველმა გამოიყენა ბიოლ. ბრძოლის მეთოდი ბორჯომის ხეობაში გავრცელებული დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ. იყო ინდოეთის ზოოლ. აკად. ნამდვილი წევრი (1961-იდან), ლონდონის ენტომ. საზ-ბის (1950) და პოლონეთის ზოოლ. საზ-ბის (1958) საპატიო წევრი. კ. უხერხემლოთა ზოოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი და საშუალო სკოლის ზოოლოგიის სახელმძღვანელოს თანაავტორია.

კობახიძე დავით სტეფანეს ძე [20. II (4. III). 1885, ქ. სამტრედია, — 5. V. 1947, თბილისი], ქართველი საბჭ. რეჟისორი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1929). 1902-იდან მონაწილეობდა *ავჭალის აუდიტორიის* წარმოდგენებში. 1903 ჩამოაყალიბა მოძრავი თეატრი „დემოსი" (იარსება 1920-მდე). საქართვ. რ-ნებში საგასტროლო მოგზაურობის დროს ასრულებდა არალეგალური რევ. ორგანიზაციის დავალებებს. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაარსა თეატრ. სტუდია (1922—26). 1929—37 ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ მოძრავ საკოლმ. თეატრს, ზესტაფონისა და ყვარლის სცენისმოყვარეთა და პროფ. თეატრებს. 1933 მისი თაოსნობით სვანეთში (მესტია) ჩამოყალიბდა თვითმოქმედი დრამ. კოლექტივი, რ-ის საფუძველზე შემდეგ მესტიაში შეიქმნა პროფ. თეატრი.

კობახიძე ვალერიან სოგრატის ძე (დ. 1. VI. 1908, სოფ. ხოტევი, ამბროლაურის რ-ნი), საბჭ. პედაგოგი, ფიზიკოსი, პედ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969), საქ. სსრ მეცნ. დამსახურებული მოღვაწე (1980). სკკპ წევრი 1942-იდან. 1930 დაამთავრა თსუ-ის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. 1956-იდან თსუ-ის პედ. პრაქტიკის ხელმძღვანელი.

თხზ: ფიზიკის სწავლების მეთოდიკა (სახელმძღვანელო), თბ., 1966; სიახლენი ფიზიკის სწავლებაში, თბ., 1973.

კობახიძე მიხეილ გერმანეს ძე (დ. 5. IV. 1939, თბილისი), ქართველი საბჭ. კინორეჟისორი. 1965 დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტი (მოსკოვი). სტუდენტობის დროს გადაიღო ფილმები: „ახალგაზრდის სიყვარული" და „კარუსელი". საყოველთაო აღიარება მოიპოვა კ-ის ფილმებმა: „ქორწილი" (1964, მთავარი პრემია ობერჰაუზენში, დიპლომები კანში, კრაკოვში, ბუენოს-აირესში) და „ქოლგა" (1967, მთავარი პრიზი კრაკოვში, დიპლომები მელბურნში და სხვ.). 1969 გადაიღო ფილმი „მუსიკოსები". კ-ის გმირები არ ლაპარაკობენ, მაგრამ მეტყველი ლირიზმით, დახვეწილი პლასტიკითა და იუმორით, მუსიკის რიტმისა და გამოსახულების ერთიანობით მაღალ მხატვრულ ეფექტს აღწევენ. ბოლო წლებში მოღვაწეობს როგორც კინოდრამატურგი.

გ. დოლიძე.

კობახიძე პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე [29. VI (12. VII). 1907, ქ. ზუგდიდი,— 17. VIII. 1963, ქ. სოხუმი, დაკრძალულია თბილისში], ქართველი საბჭ. მსახიობი, საქ. სსრ სახ. არტისტი (1946). სკკპ წევრი 1946-იდან. კ. მარჯანიშვილის მოწაფე. 1924 დაამთავრა თეატრ. სტუდია (თბილისი) ა. ფაღავას ხელმძღვანელობით. 1924—30 გამოდიოდა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე. 1930-იდან იყო მარჯანიშვილის სახ. თეატრის წამყვანი მსახიობი. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, ემოციურობით. შეასრულა ურიელ აკოსტას (გუცკოვის „ურიელ აკოსტა", 1932), ფერდინანდის (შილერის „ეერაგობა და სიყვარული", 1935), არმანის (დიუმას „მარგარიტა გოტიე", 1940), ჩონთას (ვაფა-ფშაველას „მოკვეთილი", 1945), ონისეს (ყაზბეგის „მოძღვარი", 1948); ანტონიუსის (შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა", 1951), ვაშაძის (მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", სსრკ სახელმწ. პრემია, 1952) და სხვ. როლები.

კ-მ ქართ. სცენაზე ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ლენინის სახე (პოგოდინის „კრემლის კურანტები", 1941). დაჯილდოებულია 2 შრომის წითელი დროშის ორ-



კოაქსიალური კაბელი.

კოაქსიალური კაბელის გარე ხედი: 1—მრავალმავთულიანი შიგა გამტარი; 2 — მოლიანი იზოლაცია; 3—სპილენძის მოკალული მავთულის წნულისაგან შემდგარი გარე გამტარი; 4— პლასტმასის ან რეზინის გარსი.

ი. კობალაძე.

ფ. კობალაძე.

ბ. კობახიძე.

დ. ს. კობახიძე.

ა. კობაძიძე.

ე. კობერიძე.

თ. კობერიძე.

ი. კობზარევი.

დენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ე., პიერ კობახიძე, თბ., 1968. *მ. ცხომარია.*

კობე, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. ჰონსიუს სამხრ. ნაწილში, ოსაკის ყურის (იაპონიის შიგა ზღვა) ნაპირზე. პიოგოს პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 1366 ათ. მცხ. (1977). დას. იაპ. დიდი სამრეწვ. ცენტრი. მრეწვ. წამყვანი დარგებია მეტალურგია, სატრანსპ. მანქანათმშ. (მ. შ. გემთმშენებლობა) და ქიმ. მრეწველობა. ქ-ში არის დიდი გემთსაშენი ვერფები (მხოლოდ სამი მათგანის წილად მოდის იაპონიაში მშენებარე გემების ტონაჟის დაახლ. 30%), სამხ. მრეწველობა. ქალაქში არის უცხოეთის ბანკების, სავაჭრო და სამრეწვ. ფირმების ფილიალები. უმაღლესი კომერც. ინ-ტი, უნ-ტი, ტექ. კოლეჯი. ობსერვატორია. მეტროპოლიტენი. ქ. საერთაშ. ტურიზმის ცენტრია. რ-ნში არის ეროვნ. პარკები; ცხელი წყაროები. კურორტები.

კობეთი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (კიროვის სოფსაბჭო), მდ. ჯეჯორის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1660 *მ*, ჯავიდან 44 *კმ*. კიროვის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. კიროვში (10 *კმ*). ბ-კა.

კობერი (Kober) ლეოპოლდ (21. IX. 1883, — 6. IX. 1970), ავსტრიელი გეოლოგი, ვენის უნ-ტის პროფესორი (1920-იდან). აქვს მნიშვნელოვანი შრომები ალპების, ევროპისა და მთლიანად დედამიწის ტექტონ. აგებულების შესახებ. ცნობილია როგორც *კონტრაქციის ჰიპოთეზის* მიმდევარი. ქ-მა დაამუშავა ნაოჭა სისტემების აგებულების ერთიანი სქემა, შემოიტანა ტექტონიკაში *ოროგენისა* და კრატოგენის (იხ. *კრატონი*) ცნებები. განავითარა აზრი ალპების შარიაჟული აგებულების შესახებ, რაც ბოლო ხანს სხვა ნაოჭა მთების მაგალითზეც დადასტურდა.

კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე (22. IV. 1904, სოფ. ცხმორი, ონის რ-ნი,—12. VII. 1974, თბილისი), საბჭ. გენერალ-მაიორი (1943). საბჭ. კავშირის გმირი (6. IV. 1945). სკკპ წევრი 1926-იდან. 1922 მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. 1926 დაამთავრა ცაკის სახ. პირველი სამხ. სკოლა ქ. მოსკოვში. 1929 შევიდა მოსკ. ავტოტექ. სამხ. კურსებზე, რ-ის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს მასწავლებლად. 1932 დაინიშნა სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს ინსპექტორად. 1933 ჯავშანსატანკო ბატალიონის მეთაურად ქ. ალმა-ათაში. დიდი სამამულო ომის დაწყებისას ქ. კაუნასში მსახურობდა. ომის დროს იბრძოდა დას. დვინასთან, კალინინთან. 1942 წ. 3 აპრილიდან მეთაურობდა დივიზიას. იბრძოდა ვიტებსკთან, მონაწილეობდა პოლ. განთავისუფლებაში და გერმ. ტერიტორიაზე ბრძოლებში. 1944 ივლისში მდ. ვისლის გადალახვისას მის დას. ნაპირზე პლაცდარმის დასაკავებლად შენაერთის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, პირადი გმირობისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ დაამთავრა კ. ვოროშილოვის სახ. უმაღლესი სამხ. აკადემია (1947) და მსახურობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 6 სხვა ორდენითა და მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

კობერიძე ვარდიშელი გიორგის ძე (დ. 3. IV. 1926, სოფ. ველისციხე, გურჯაანის რ-ნი), ქართვ. მეტალურგი, სოციალ. შრომის გმირი (1958); სკკპ წევრი 1949-იდან, 1950 დაამთავრა ქ. ენაკიევოს ოსტატთა სკოლა, 1960 — რუსთავის მეტალ. ტექნიკუმი. მუშაობდა საბრძმედე ღუმლის მექურედ ენაკიევოს მეტალ. კომბინატში (1944—50), საბრძმედე ღუმლის ოსტატად ამავე საწარმოში (1950—54), საბრძმედე საამქროს უფრ. ოსტატად რუსთავის მეტალ. ქ-ნაში (1954-იდან), საბრძმედე საამქროს პარტორგანიზაციის მდივნად (1958—60), საბრძმედე საამქროს უფროსის მოადგილედ (1961—66), რუსთავის მეტალ. ქ-ნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავ-რის მოადგილედ (1966 მაისიდან), ქ-ნის მთ. ინჟინრის მოადგილედ უსაფრთხოების ტექ. დარგში. 1974-იდან მუშაობს მუშათა დინასტიისა და დამრიგებელ ოსტატთა საქარხნო საბჭოს თავ-რედ. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

კობერიძე ოთარ ლეონტის ძე (დ. 17. XII. 1925, თბილისი), ქართველი საბჭ. კინომსახიობი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1968). სკკპ წევრი (1966). 1948 დაამთავრა თბილ. შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკტი. 1950—56 სოხუმის დრამ. თეატრის მსახიობია. 1941-იდან იღებენ კინოში. ქართ., საბჭ. და უცხოურ ფილმებში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ბესარაბიელი პარტიზანი („შავ მთებში", 1941), ბაში-აჩუკი, („ბაში-აჩუკი", 1956), დათა („სხვისი შვილები", 1959), ესპანელი ოფიცერი („ისინი მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ", 1963), გრიაზნოი („მეფის საცოლე", 1964), მფრინავი ეგზიუპერი („პატარა უფლისწული", 1966), ჩეჩონი („წითელი კარავი", 1970), შაპ ქაუსი („რუსტამის გმირობანი", 1971), კიაზო (ოპერა-ფილმი „დაისი", 1971) და სხვ. ქ. ავტორია სატელევიზიო ფილმისა „გამსვლელი პაიკი" (1970), „აღმოსავლეთის ექსპრესი" (1976). დადგა სატელევიზიო სპექტაკლები: („მეშვიდე", „მოცეკვავე კაცუნები", „სურათები"), მხატვრულ ფილმში „ელოდეთ მოკავშირეს", (დოვჟენკოს სახ. კინოსტუდიისა და „ქართული ფილმის" ერთობლივი ნამუშევარი, 1978).

კობზა (თურქ.), 8-სიმიანი მუსიკალური საკრავი. აქვს *ლუტნის* ფორმის კორპუსი. საერთო სიგრძე 520—530 *მმ*. უკრავენ პლექტრით, ვირტუოზები კი პლექტრთან ერთად თითებითაც (მე-3, მე-4 და მე-5 თითით), გავრცელებულია უკრ. დას. ოლქებში, მოლდავეთში, რუმინეთსა და ნაწილობრივ უნგრეთში. თანამედროვე ხალხ. საკრავთა ორკესტრში ხმარობენ რამდენადმე რეკონსტრუირებული სახით.

კობზარევი იური ბორისის ძე [დ. 25. XI (8. XII). 1905, ვორონეჟი], საბჭ. მეცნიერი თეორიული და გამოყენებითი რადიოტექნიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970). სოციალისტური შრომის გმირი (1975). 1926 დაამთავრა ხარკოვის სახ. განათლების ინ-ტი (ხარკოვის უნ-ტი). 1926—43 მუშაობდა ლენინგრ. ფიზ.-ტექ. ინ-ტში, 1944—55 — მოსკ. ენერგეტ. ინ-ტში. 1968-იდან ხელმძღვანელობს სსრკ მეცნ. აკად. რადიოტექ. და ელექტრონიკის ინ-ტის განყ-ბას. ქ-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სტატისტ. რადიოტექ. და რხევათა თეორიის განვითარებაში. საფუძველი ჩაუყარა რადიოლოკაციის სპეციალისტთა სკოლას სსრკ-ში. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.

კობზარი, უკრაინელი სახალხო მომღერალი. სიმღერებს ასრულებდა ეროვნულ საკრავზე — კობზაზე საკუთარი აკომპანემენტით. XVI—XVII სს-ში ქ-ები მონაწილეობდნენ ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში, სიმღერებით აღვიძებდნენ ხალხში საბრძოლო სულისკვეთებას, მჩაგვრელთადმი სიძულვილს. ქ-ებმა ჩვენს დრომდე მოიტანეს კლასიკური ხალხ. ეპიკური პოეზიის ნიმუშები (*დუმა*, ისტ. სიმღერები).

კობი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში, მდ. თერგის მარჯვ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ქ., აბანო, ალმასიანი, ბურმასიგი, განისი, ჯიმარა, გუდაური, დესი, ერეთო, ზემო ოქროყანა, კართაყაუ, კეტრისი, მნა, ნოგყაუ, რესი, საყურიანი, სუატისი, ტეფი, უხათი, ფალაგყაუ, ქვემო ოქროყანა, ქუმლისციხე, შევარდენი, ცოცოლთა). ზ. დ. 1970 *მ*, ყაზბეგიდან 20 *კმ*. კობის სერგო ორჯონიკიძის საა. კოლ-ბა (მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ყანობში (4 *კმ*). ბ-კა, კლუბი, ამბულ., კავშირგაბმ. განყ-ბა.

კობიაშვილი ილია გიორგის ძე [16 (28). XI. 1894, თბილისი, — 8. VIII. 1972, თბილისი], ქართველი საბჭ. თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1961), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სკკპ წევრი 1943-იდან. 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1926-იდან განაგებდა თერაპიულ განყ-ბას თბილ. ფიზ. მეთოდებით მკურნალობის ინ-ტში. 1941—45 ხელმძღვანელობდა თბილ. ერთ-ერთ ევაკოჰოსპიტლის თერაპიულ განყ-ბას, 1947-იდან გარდაცვალებამდე — კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტის რადიოლოგიურ ლაბორატორიას. ქ. შეისწავლიდა ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზისა და იშემიური დაავადების საკითხებს.

თხზ.: გულის კორონარული დაავადება, თბ., 1971; რადიაქტიური იზოტოპების გამოყენება კარდიოლოგიაში, თბ., 1958; О рефлекторной стенокардии, М., 1967.

კობილიანსკაია ოლგა იულიანის ასული [27. XI. 1863, გურა-გუმორი (რუმინეთი),—21. III. 1942, ჩერნოვიცი], უკრაინელი მწერალი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 90-იანი წლებიდან. მოთხრობებში „ადამიანი" (1886—91), „მეფის ასული" (1888—95) წინ წამოწია ქალთა ემანსიპაციის საკითხი. მისი საუკეთესო ნაწარმოებია „მიწა" (1901, ქართ. თარგმ. 1968) — რომანი მშრომელ გლეხობაზე. ქ-მ I მსოფლიო ომის ხანა ასახა მოთხრობებში „ბედისწერის შესახვედრად" (1915), „ჭკუაზე შეიშალა" (1923) და სხვ.

კობიძე დავით ივანეს ძე [დ. 11. IX. (24. IX). 1906, სოფ. შუა ამაღლება, ახლანდ. ჩოხატაურის რაიონი], ქართველი საბჭ. აღმოსავლეთმცოდნე. საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კ. (1979). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1933 დაამთავრა თსუ. დიდი სამამულო ომის მონაწილე; ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი (1949). 1953-იდან თსუ-ის ირან. ფილოლ. კათედრის გამგე. იკვლევს სპარს. ენისა და ლიტ. ისტორიის, კლასიკ. და აღორძინების ხანის ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობის, და ქართ. და სპარს. პოეტიკის საკითხებს. თარგმნა საადის „ბუსთანი" და „გოლესთანი". ავტორია სპარს. ლიტ-რის ქრესტომათიისა (ტ. 1—2, 1963 — 67). 1954-იდან თსუ-ის შრომების აღმ. სერიის მთავარი რედაქტორი. ი. ჯავახიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1976).

თხზ.: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 1—3, თბ., 1959—78; „შაპნამეს" ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, [ტ.] 3— გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1974; სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975; ჯამი, თბ., 1966 ; Иранская филология в Грузии, Тб., 1971. *მ. შონია.*

კობლენცი (Koblenz), ქალაქი გფრ-ში, რაინლანდ-პფალცის მხარეში, მდ. რაინის მარცხ. ნაპირზე, მდ. მოზელის შესართავთან. 118 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. სამდ. ნავსადგური. აეროპორტი. მანქანათმშ. (მ. შ. სააავიაციო ქ-ნა), ლითონდამუშავება (მ. შ. ალუმინის ნაგლინის წარმოება), ელექტროტექ. მრეწვ.; ფარმაცევტული წარმოება. მეღვინეობა. პედ., ადმ.-სამეურნეო აკადემიები. რომაელების დროს იყო გამაგრებული ბანაკი (ძვ. წ. 9 წ-იდან). ქალაქი გაიზარდა შუა საუკუნეებში. 1018-იდან ეკუთვნოდა ტრირის არქიეპისკოპოსს, 1797-იდან — საფრანგეთს, 1815-იდან — პრუსიას. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს დაინგრა. 1945—49 იყო გერმანიის ოკუპაციის საფრანგეთის ზონაში. ქალაქში შემორჩენილია სანქტ-კასტორის რომანულ-გოთიკური ეკლესია (836, გადაკეთებულია დაახლ. 1200), ფლორინსკირხე (XII ს.), ლიბფრაუენკირხე (XII—XIII სს.), კურფიურსტების სასახლე (1280), რატუშა (XVI—

XVII სს.), ეპისკოპოსის სასახლე (1777—86, არქიტ. მ. დ'იქსნარი), თეატრი (1787).

კობლოვი სერგეი კონსტანტინეს ძე (22. XI. 1915, სოფ. უხათი, ყაზბეგის რ-ნი, — 17. VI. 1954, ქ. ორჯონიკიძე), საბჭ. კავშირის გმირი (14. II. 1943). გვარდიის პოდპოლკოვნიკი. სკკპ წევრი 1939-იდან. დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში ჩრდ. კავკასიაში და ორიოლ—კურსკთან. ომის დაწყებიდან 1942 წ. 21 სექტ-მდე ჩამოაგდო მტრის 9 თვითმფრინავი, რისთვისაც საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კობოლი (COBOL, შემოკლებული ინგლ. COmmon Business Oriented Language), ხელოვნური ენა, რ-საც იყენებენ საალრიცხვო-ეკონომიკური და სამმართველო ამოცანების აღწერისათვის. შეიქმნა აშშ-ში 1958—60. კ. უზრუნველყოფს ალგორითმების თვალსაჩინო და საკმაოდ კომპაქტური ფორმით ჩაწერას. *ალგოლთან* შედარებით იგი უფრო ახლოსაა საქმიანი ოპერაციების ჩვეულებრივ ენასთან.

კობრა (Naja), გველების გვარი ასპიდისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია სამხრ. აზიასა და აფრიკაში. მოიცავს 6 (ზოგის აზრით 10) სახეობას. აქვთ სხეულის წინა მესამედის ვერტიკალურად აწევისა და კისრის გაფართოების უნარი. თავი ამ დროს ჰორიზ. მდგომარეობას ინარჩუნებს. ზედა ყბის წინა ნაწილში უმოძრაო ღარიანი შხამიანი კბილები აქვთ. კ-ს გვარიდან აღსანიშნავია სათვალიანი გველი (N. naja ან N. tripudians), რ-ის 10-მდე ქვესახეობა გავრცელებულია სამხრ. აზიაში. ამათგან ყველაზე ცნობილია ინდური კ., რ-საც ზურგის მხარეზე გადაბრუნებული სათვალის მსგავსი გამოსახულება აქვს (აქედანაა სახელწოდება). მისი სიგრძე 160—180 *სმ* აღწევს. სსრკ ტერიტორიაზე — სამხრ. თურქმენეთში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში გვხვდება „უსათვალო" ქვესახეობა (N. n. oxiana), ბინადრობს ბუჩქნარში, ქვაყრილებში, მღრღნელების სოროებში, მიტოვებულ შენობებში და ა. შ. იკვებება წვრილი ხერხემლიანებით. მრავლდება კვერცხებით. აქვს მეტად ძლიერი ნეიროტოქსიკური შხამი. ცნობილია ადამიანთა დაღუპვის შემთხვევები. სამეფო კ. (N. hannah ან N. bungarus), რ-საც ზოგი ცალკე გვარად (Ophiophagus) გამოყოფს, ტანად ყველაზე დიდი შხამიანი გველია, მისი სიგრძე 5,5 *მ* აღწევს. ბინადრობს სამხრ. აზიის ჯუნგლებში. იკვებება ძირითადად სხვა გველებით. მისი შხამი ზოგჯერ ნახევარ საათში კლავს ადამიანს. ცნობილია სპილოების დაღუპვის შემთხვევებიც. *თ. მუსხელიშვილი.*

კობრეზია (Kobresia), მცენარეთა გვარი ისლისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი მკვრივკორდოვანი ბალახებია. ცნობილია 40-მდე სახეობა, რ-იც იზრდება ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყელში, უფრო მეტად აზიაში. სსრკ-ში (შუა აზია, ალთაი, ურალი, არქტიკა და კავკასია) 10—12 სახეობაა, ზოგი მათგანი კარგი საძოვრის მცენარეა. საქართველოში კ-ის 3 სახეობა იზრდება (K. schoenoides, K. capillifolia და K. persica). სამივე გვხვდება კავკასიონის მთავარ ქედზე; სამხრ. მთიანეთში კი გავრცელებულია მხოლოდ K. persica. K. capillifolia დიდ მასივებს ქმნის, მაგ., თრუსოს ხეობაში (სუბალპ. სარტყელში) ოდესღაც არყნარის ადგილზე განვითარებულია მეტად ორიგინ. მდელო, სადაც კოლბოხებზე სახლდება კ., ხოლო მ. შ. ჩაზნექილ არეზე კი დრიადი (Dryas caucasica). ხშირია აგრეთვე K. schoenoides, რ-იც ითვლება ცხვრისა და ცხენის კარგ საკვებად.

შ. ნახუცრიშვილი.

კობრი, გოჭა (Cyprinus carpio), თევზი კობრისებრთა ოჯახისა. მისი სიგრძე 1 *მ* აღწევს, მასა 12 *კგ*, ზოგჯერ მეტსაც. ბინადრობს ხმელთაშუა, შავ, კასპიის, არალის ზღვებში, წყნარი ოკეანის აუზის და აღმ. აზიის მდ-ებსა და ტბებში, საქართველოში გვხვდება ბევრ მდინარეში, ტბასა და წყალსაცავში. სელექციით მისგან გამოყვანილია მრავალი ჯიში, რ-თაგან საქართველოში შემოყვანილია სარკისებრი კ. იკვებება უხერხეტლო ცხოველებით და მცენარეებით. მრავლდება 2—5 წლისა. ნაყოფიერება აღწევს 1,5 მლნ. ქვირითს. ტოფობს ზაფხულში. ძვირფასი სარეწაო თევზია. იყენებენ ნედლად, დამარილებულს, დაკონსერვებულს და სხვ.

მ. დემეტრაშვილი.

კობრი.

კობრისებრნი (Cyprinidae), თევზების ოჯახი კობრისნაირთა რიგისა. აქვთ ქერცლით დაფარული ან ტიტველი სხეული. ოჯახში 200-მდე გვარი და 1000-ზე მეტი სახეობაა; სსრკ-ში 50-ზე მეტი გვარი გვხვდება. მტკნარი წყლის ან გამსვლელი თევზებია. ფართოდაა გავრცელებული. ყველაზე ბევრია სამხრ. აზიასა და ტროპ. აფრ. წყლებში, ხოლო სსრკ-ში — შავი, აზოვის, კასპიის ზღვების აუზებში და მდ. ამურში. კ-თა უმრავლესობას სარეწაო მნიშვნელობა აქვს. ზოგი სატბორო მეურნ. და სელექციის კარგი ობიექტია, ზოგიც სააკლიმატიზაციოა. საქართველოში კ-თა ოჯახიდან გვხვდება 22 გვარის 33 სახეობა. მ. შ. აკლიმატიზებულია და სარეწაო მნიშვნელობა აქვს სარკისებრ კობრს, თეთრ ამურს, თეთრ სქელშუბლას, ჭრელ სქელშუბლას.

კობრისებრსანი (Cyprinodontidae), თევზების ოჯახი კობრისებრსანაირთა რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 3—10 *სმ* აღწევს. ოჯახში 430-მდე სახეობაა. ბინადრობენ ამერ., აფრ., სამხრ. და აღმ. აზიის ტროპ. და ზომიერად თბილ წყალში, ზოგი სახეობა— ცხელ წყალში (40—50°C). კ-თა 3 სახეობა ცხოვრობს სამხრ. ევროპაში. ზოგი სახეობა კარგად ეგუება ზვიმისა და გვალვის მონაცვლეობის პირობებს, წყალსატევის ამოშრობისას თევზები ილუპებიან, ხოლო ლამში ჩაფლული ქვირითი ცოცხლობს. ზვიმის მოსვლისთანავე ქვირითი ვითარდება და თევზი იჩეკება. ზოგი კ. ცოცხლაღმშობია (გამბუზია). სარეწაო მნიშვნელობა არა აქვთ. ბევრი კ. ლამაზია და სააკვარიუმედ ამრავლებენ.

კობურგები, სასექს-კობურგ-გოთა (Sachsen-Coburg-Gotha), ბულგარეთის მეფეთა დინასტია 1887—1946, რ-ის ფუძემდებელი იყო ფერდინანდ I (1887—1908 მთავარი, 1908—18 მეფე), საქსენ-კობურგ-გოთას გვარის გერმანელ მთავართა შთამომავალი. შემდეგ მეფობდნენ: ბორის III (1918—43), სიმეონ II (1943—46). ბულგარეთში სექტ. სახ. შეიარაღებული აჯანყების (1944) გამარჯვების შედეგად მონარქია დაემხო (ოფიციალურად 1946 წ. 15 სექტ.) და კ-ის დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

კობანი ლეონიდ ბორისის ძე (დ. 14. XI. 1924, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი), საბჭ. მეკიოლინე და პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1966). სკკპ წევრი 1954-იდან. 1948 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ა. იამპოლსკის კლასი), 1953 — ასპირანტურა. 1944-იდან მოსკ. ფილარმონიის სოლისტი. კ. საბჭ. სავიოლინო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამედროვე არტისტ-ვირტუოზია. კ-ის მრავალფეროვანი რეპერტუარი მოიცავს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს. მ. შ. ი. ს. ბახის, ვ. ა. მოცარტის, ლ. ბეთჰოვენის, ი. ბრამსის, ს. პროკოფიევის, დ. შოსტაკოვიჩის კონცერტებს. 1952-იდან მოსკ. კონსერვ. პედაგოგია (1963-იდან პროფესორი). ლენინური პრემია (1965), დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კობანი პეტრე სიმონის ძე [8 (20). V. 1872, ქ. ლიდა, ახლანდ. გროდნოს ოლქი, — 2. V. 1932, მოსკოვი], საბჭ. კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი. ავტორია წიგნებისა „დასავლეთ ევროპის ლიტერატურათა ისტორიის ნარკვევები" (ტ. 1—3, 1903—10), „ძველი ლიტერატურების ისტორიის ნარკვევები" (ტ. I, „ბერძნული ლიტერატურა", 1907), „უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები" (ტ. 1—3, 1908—12), გამოკვლევებისა თეატრმცოდნეობის დარგში. ჯერ კიდევ ოქტ. რევოლუციამდე ემხრობოდა მარქსიზმს და ებრძოდა იდეალისტ კრიტიკოსებს. იყო პოპულ. ლექტორი, საბჭ. ლიტერის მხურვალე პროპაგანდისტი.

კოგალნიჩანუ (Kogălniceanu) მიჰაი (6. IX. 1817, იასი, — 20. VI. 1891, პარიზი), რუმინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალი. მოლდოვაში რევ. მოძრაობის ჩახშობის შემდეგ (1848 მაისი) ემიგრაციაში იყო ჩერნოვიციში (1849-მდე). თავის ერთ-ერთ შრომაში წამოაყენა რუმინეთში ბურჟ.-დემოკრ. გარდაქმნების პროგრამა, მოითხოვდა მოლდოვისა და ვლახეთის ერთ რუმინ. სახელმწიფოდ გაერთიანებას. 1860—61 სათავეში ედგა მოლდოვის მთავრობას. 1863—65 რუმინ. მთავრობის მეთაური; 1876, 1877—78 — საგარეო საქმეთა მინისტრი. განახორციელა ზოგიერთი ბურჟ. რეფორმა. 1887—90-იდან რუმინ. აკად. პრეზიდენტი. კ-ს ეკუთვნის ისტ. შრომები და საარქივო მასალათა პუბლიკაციები, აგრეთვე მხატვრული ნაწარმოებები. კ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ეროვნ. თეატრის განვითარებაშიც (პიესა „ორი ქალი ერთი მამაკაცის წინააღმდეგ", 1840 და სხვ.).

ლიტ.: Ionescu V., Mihail Kogălniceanu, Buc., 1963.

კოგია (Kogia breviceps), ზღვის ძუძუმწოვარი კბილიანი ვეშაპების რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 4 *მ* აღწევს, მასა 500 *კგ*. აქვს მომრგვალო თავი, 1—2 წყვილი ზედა და 8—15 წყვილი ქვედა კბილი, ვიწრო ქვედა ყბა, ასიმეტრიული ქალა. გავრცელებულია მსოფლიო ოკეანის ტროპ. და სუბტროპ. სარტყელში, სსრკ-ში — კურილის წყლების სამხრ. კ-ებთან. სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

კოგნატები (ლათ. cognati, სიტყვასიტყვით — ნათესავები), რომის სამართალში— ქალის მხრივ ერთი წინაპრის შთამომავალნი, რ-თაც იურიდიულად აღიარებული სისხლით ნათესაობა აკავშირებდა; სისხლით ნათესავები საერთოდ. გვიანდ. იმპერიის დროს მემკვიდრეთა რიცხვში *აგნატებთან* ერთად კ-ის შეყვანაც შეიძლებოდა.

კოგურიო, ერთ-ერთი კორეული ტომი, მოგვიანებით კორეის ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო, კ-ს (ან გურიოს) ტომს ახ. წ. I ს. დასაწყისში ეკავა მდ. ამნოკანის შუა დინების გასწვრივ მდებარე ტერიტორია. პირველყოფილი თემური ურთიერთობის რღვევისა და კლასების წარმოშობის პერიოდში კ-ში გავრცელებული იყო რკინის იარაღი; თანდათან ყალიბდებოდა ფეოდ. ურთიერთობა, რ-იც ემყარებოდა მიწაზე სამეფო საკუთრებას. დედაქალაქი იყო ქ. ხვანდო (ახლანდ. ძიანი, ჩრდ.-აღმ. ჩინეთი), V ს-იდან ფხენიანი. V—VI სს-ში გაძლიერდა ბრძოლა კ-ს, *პექჩესა* და *სილას* შორის კორეის ნ. კ-ზე ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაება ჩინეთი. 668 ჩინ. ტანის დინასტიისა და სილის სახელმწიფოს გაერთ. ძალებმა კ. გაანადგურეს.

ო. კობილიანსკაია.

დ. კობიტუ.



ს. კობლოვი.

კობრა. (Naja naja): 1— შხამიანი კბილი; 2—მისი განივი ჭრილი შხამის შემცველი არხით; 3—კობრის თავი.



ლ. კოგანი.

კოგია.

ზ. კოდაი.

კოდალასებრნი: 1—ბრაზილიური კოდალა (Picumnus cirratus); 2—ოქროსფერი კოდალა (colapfes auratus); 3—მწვანე კოდალა; 4—მაქცია; 5—შავი კოდალა; 6—დიდი ჭრელი კოდალა; 7—სამთითა კოდალა (Picoides tridactylus).

კოდა. მიწური. ტუ. წ. IV ათასწლ. ბოლო მეოთხედი.

კოდა (იტალ. coda, სიტყვასიტყვით — კუდი), 1. პ ო ე ტ ი კ ა შ ი — დამატებითი სტროფი იმ სალექსო სქემებში, რ-თაც ახასიათებს სტროფების მკაცრად განსაზღვრული რაოდენობა. მაგ., მე-15 სტროფი სონეტში, მე-9 — ტრიოლეტში, მე-7 — წყობილში და ა. შ. 2. მ უ ს ი კ ა შ ი — მუს. ფორმის დასკვნითი მონაკვეთი, რ-იც ავსებს და ასრულებს მის ძირითად ნაწილს. კ. მდგრადია. მასში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტონიკური საორგანო პუნქტი, მელოდიკურ-ჰარმონიული შებრუნებები, ნაწარმოებების განმაზოგადებელი თემატური მასალა. კონტრასტული თემების მქონე რთული პიესების კ-ში ხშირად შედის პიესის შუა ნაწილის თემა, როგორც გახსენება.

კოდა, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში, ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ალგეთის მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ახალი მარაბდა, მუხათი, ძველი მარაბდა). ზ. დ. 590 *მ*, თეთრი წყაროდან 34 *კმ*, მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. კოდის მერძევეობის საბჭ. მეურნ., საკონსერვო ქ-ნა, მეფრინველეობის ფ-კა, კერამ. და სამკერვალო საამქროები. საშ. და სალამოს (ცვლიანი) საშ. სკოლები, სამუსიკო სკოლა, 2 საბავშვო ბაღი, 2 კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, 2 მედპუნქტი, აფთიაქი, 2 კავშირგაბმ. განყ-ბა. შინმოუსვლელთა ობელისკი, ცხრა ძმა ხერხეულიძის ძეგლი. კ-ში დაიბადა მწერალი ვ. *ბარნოვი*. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. კ-ში შემორჩენილია დარბაზული ეკლესია (XIX ს.). სოფელში გაითხარა (1969 და 1974, ხელმძღვ. გ. ფხაკაძე) ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო მეოთხედი) ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარზე აღმოჩნდა წრიული ფორმის თიხატკეპნილიატაკიანი ნახევრადმიწურები (დიამეტრი 2,3—4 *მ*), რ-ებშიც კერები იყო. წნული კედლები თიხით უნდა ყოფილიყო შელესილი. ნამოსახლარის ტერიტორიაზეა სამაროვანიც. გამოვლინდა სამარხების ორი ტიპი: ორმოსამარხები და ჭვის სამარხები. ორმოსამარხები ინდივიდუალურია. მიცვალებულები ესვენა გვერდზე, კიდურებმოკეცილი. ქვის სამარხები კოლექტიურია. სოფლის დას. ნაწილში გაითხარა მშრალი წყობით ნაგები კოლექტიური აკლდამები. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ხელით ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, რ-თა ნაწილი ორნამენტირებულია. ქვის იარაღიდან აღსანიშნავია ხელსაფქვავები, როდინები, სალესები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ობსიდიანის ისრისპირები, საფხეკები, ლამელები. მსგავსი მასალა აღმოჩენილია საქართვ. ამავე ხანის სხვა ძეგლებში (კიკეთი, დიდუბე, თეთრი წყარო, თამარისი, სამშვილდე, ოზნი და სხვ.). *გ. ფხაკაძე.*

კოდა, სოფელი ქარელის რ-ნში (ბრეის სოფსაბჭო), მდ. ლოპანისწყლის (ფრონის შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 840 *მ*, ქარელიდან 30 *კმ*. ბრეის მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. აბანოში (3 *კმ*). კლუბი, ბ-კა.

კოდავარდისუბანი, სოფელი ქარელის რ-ნში (მოხისის სოფსაბჭო), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 760 *მ*, ქარელიდან 21 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 *კმ*. მოხისის საბჭ. მეურნ. (მეფრინველეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა მოხისში (3 *კმ*).

კოდაი (Kodály) ზოლტან (16 XII 1882, კეჩკემეტი, — 6. III. 1967, ბუდაპეშტი), უნგრელი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი, პედაგოგი და საზ. მოღვაწე. ბ. *ბარტოკთან* ერთად თანამედროვე უნგრ. მუსიკის ფეძემდებელი. უნგრ. მეცნ. აკად. ნ. წ. (1945), მისი პრეზიდენტი (1946—49). 1905 დაამთავრა ბუდაპეშტის უნ-ტის ფილოს. ფაკ-ტი და ფ. ლისტის სახ. მუს. აკადემია (კომპოზიციის განხრით, ი. კესლერთან), სადაც 1907-იდან ასწავლიდა მუს. თეორიას, 1908—40 — კომპოზიციას. კ-ს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნ. ნაშრომები: „ეთნოგრაფია და მუსიკათმცოდნეობა" (1933), „უნგრული ხალხური სიმღერა" (1935), „პენტატონიკა უნგრულ ხალხურ მუსიკაში" (1937). ნაწარმოებები: სიმებიანი დუეტი ვიოლინოსა და ჩელოსათვის (1914), სონატა ჩელოსათვის (1915), სიმებიანი კვარტეტი (1916), „უნგრული ფსალმუნი" გუნდის, ტენორისა და ორკესტრისათვის (1923), ოპერა „ჰარი იანოში" (1926), სიმფ. ვარიაციები (1939) და სხვ. დირიჟორობდა საკუთარ ნაწარმოებებს. გამოსცა კრებულები მოსწავლეთათვის. კ. იყო უნგრ. მუსიკოსთა კავშირის პრეზიდენტი (1947). უნგრ. მუსიკათმცოდნეთა საზ-ბის თავ-რე, ბუდაპეშტის, ოქსფორდის, კლუჟის უნ-ტების საპატიო დოქტორი, „მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო საზოგადოების" (ISME) საპატიო პრეზიდენტი (1964—67). საზ-ბა „უნგრეთ-სსრკ-ის" მუს. სექციის თავ-რე (1958-იდან), კოშუტის სახ. პრემიის ლაურეატი (1948, 1952, 1957). *ე. ეკსანიშვილი.*

კოდაირა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში, ტოკიოს პრეფექტურაში. 148 ათ. მცხ. (1974). ტოკიოს ქალაქ-თანამგზავრი. სარკინიგზო კვანძი. მანქანათაშშ. და სალტეების ქ-ნები. კეების მრეწვ. საწარმოები.

კოდალასებრნი (Picidae), ფრინველების ოჯახი *კოდალასნაირთა* რიგისა. აერთიანებს ტანად საშ. და მომცრო (8—50 *სმ*-მდე) ფრინველებს. ნარგვარი, მკეთრი შეფერილობა აქვთ. თავი ზემოდან და ზოგჯერ ბოლოსქვეშა ბუმბულიც წითელია. ბუმბულსაფარველი უხეშია. საჭის ბუმბული მოქნილი და მაგარლერძიანია. ფრთა ფართოა, ბოლოში მომრგვალებული. თავის ქალა დიდი და მაგარია. სწორი ნისკარტი დაფარულია სქელი საფარველით და ბოლოში სატეხისებურადაა წამახვილებული. ჭიისმაგვარი გრძელი ენის წაწვრილებულ ბოლოზე ჯაგრისებური გამონაზარდები აქვთ. მოკლე ფეხებზე 2 თითი წინ, ორიც უკანაა მიმართული, ზედ მოხრილი, ბასრი ბრჭყალებია. კ-თა უმრავლესობა ტყეში ცხოვრობს, კარგად ცოცავენ ხის ღეროებსა და ტოტებზე. სატეხისებური ნისკარტით ტეხენ ქერქს, საიდანაც გრძელი, წვეტიანი ენით ამოჰყავთ სხვა ფრინველებისათვის მიუწვდომელი მწერები და მათი მატლები. ჩვეულებრივად ბუდობენ ხის ფულუროში. მრავლდებიან წელიწადში ერთხელ. კ. გავრცელებულია ტყეებსა და ბუჩქნარებში ყველგან, გარდა ავსტრალიის, მადაგასკარისა და პოლინეზიის კ-ებისა. ოჯახში 36—45 გვარი და 224 სახეობაა, ამათგან სსრკ-ში — 15 სახეობა. საქართველოში გხვდება 4 გვარის 8 სახეობა. კ. სასარგებლო ფრინველია. *მ. კუტუბიძე.*

კოდალასნაირნი (Piciformes), ფრინველების რიგი. აერთიანებს ტანად მომცრო და საშ. მეხეური ფრინველების რამდენიმე ჯგუფს. შეიცავს 74 გვარის 400-მდე სახეობას. იყოფა 2 ქვერიგად: 1. ი ა კ ა მ ა რ ე ბ ი (Galbulae) — გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ამერ. ტროპიკებში; 2. კ ო დ ა ლ ე ბ ი (Pici) — მეტად ნარგვარია და მოიცავს 4 ოჯახს: წვეროსანასებრნი (Capitonidae) — გავრცელებულია აზიის, აფრ. და ამერ. ტროპიკებში; *მეთაფლიასებრნი* (Indicatoridae); *ტუკანისებრნი* (Rhamphastidae); *კოდალასებრნი* (Picidae). *მ. კუტუბიძე.*

კოდეინი, მ ე თ ი ლ მ ო რ ფ ი ნ ი, ალკალოიდი, რ-საც შეიცავს *ოპიუმი*. ქიმ. შედგენილობით უახლოვდება *მორფინს*, თუმცა ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება უფრო სუსტად აქვს გამოხატული. ამცირებს ხველების ცენტრის აგზნებადობას. ხველების დროს ენიშნებათ კ-ის ან კ-ის ფოსფატის ტაბლეტები ან ფხვნილები შაქართან, ნატრიუმის ჰიდროკარბონატთან, ტერპინჰიდრატთან, თერმოფსისთან ან ძირტკბილასთან ერთად. საძილე პრეპარატებთან და ბრომთან ერთად კ-ს იყენებენ დამამშვიდებელ საშუალებად. ჩვილ ბავშვებს კ. არ ენიშნებათ. კ-ის ხანგრძლივმა ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს კოდეინიზმი (იხ. *ნარკომანია*).

კოდექსი (ლათ. codex), ერთიანი სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რ-იც სამართ. რომელიმე დარგის ნორმებს შეიცავს (მაგ., სისხლის სამართ. კ., სამოქალაქო სამართ. კ.). პირველი კ., რ-იც 1922 საქ. სსრ-ში მიიღეს, იყო სისხლის სამართ. კ.

კოდი, მარცვლეულის საწყაო XV—XIX სს. საქართველოში. კ-ის მასა სხვადასხვაა. ცნობილია 8-, 10-და -12 ლიტრიანი კ-ები. „სწორ" (კანონიკურ) კოდში 10 ლიტრა ხორბალი ან 8 ლიტრა ქერი ჩადიოდა. ლიტრის მასური ოდენობის ზრდამ განაპირობა კ-ის ტევადობის ზრდაც. 10-ლიტრიანი კ. XVI ს-ში იტევდა 18 *კგ*. XVII ს-ში — 25,8 *კგ*, XVIII ს-ში — 30—34 *კგ*. XIX ს-ში აღმ. საქართველოში კ-ის სიდიდე 50 *კგ*-მდე გაიზარდა. რაჭაში გავრცელებული იყო „ლომკაცის კოდი". რ-იც 41 *კგ* იტევდა. სამხრ. საქართველოში XIX ს-მდე კ-ის სიდიდე 18 *კგ* იყო. *ვ. ჯაფარიძე.*

კოდი (ფრანგ. code < ლათ. codex — კანონთა კრებული), პირობითი ნიშნების (სიმბოლოების) სისტემა, რ-საც იყენებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადასაცემად, დასამუშავებლად და შესანახად. კოდური ნიშნების სასრულ მიმდევრობას სიტყვას უწოდებენ. სიტყვის სიგრძის მიხედვით განასხვავებენ თანაბარსა და არათანაბარ კ-ს. თუ მოცემული კ-ით ჩაწერილი ყველა სიტყვის სიგრძე ერთნაირია, კ. თანაბარია. თუ სიტყვები განსხვავებული სიგრძისაა, კ. არათანაბარია. თანაბარი კ-ის მაგალითია ტელეგრაფიაში გამოყენებული საერთაშ. კ. (ლათ. ალფაბეტი), ხოლო არათანაბარისა — მორზეს კ.; თითოეულ კოდურ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელობა. სიმბოლოების რიცხვს, რ-საც მოცემული კ-ის სიტყვებში იყენებენ, ფუძე ეწოდება. ფუძის მიხედვით კ. შეიძლება იყოს ორობითი, სამობითი და ა. შ. (ორობითი კ-ის ფუძეა 2, სამობითისა — 3).

კ-ის ტიპს შეარჩევენ ინფორმაციის დამახსოვრების, დამუშავებისა და გაცემის პირობების, აგრეთვე გადაცემის არხის სახეობის მიხედვით.

კ-ს იყენებენ დისკრეტული (წყვეტილი) ინფორმაციის წარმოსადგენად კავშირგაბმ. არხებში, ავტომატიკის სისტემებში, ტელემექანიკაში, გამოთვლითს ტექნიკაში და სხვ.

ლიტ.: Шеннон К. Э., Работы по теории информации и кибернетике, пер. с англ., М., 1963.

კოდი ს ა მ ხ ე დ რ ო, კავშირგაბმულობის საშუალებით სამხედრო ხასიათის საიდუმლო ცნობების ფარულად გადასაცემი პირობითი ნიშნები. პირობით ნიშნებს ადგენენ შტაბები. კ. შეიძლება იყოს ციფრობრივი, ასოებისაგან შემდგარი და სხვ. უმარტივესი სამხ. კ-ია სალაპარაკო და რადიოსასიგნალო ცხრილები, რ-ებსაც ადგენენ დროის გარკვეული მონაკვეთისთვის ან ბრძოლის დროს. განასხვავებენ საერთო-

საჯარისო და სპეციალურ (ერთი გვარეობის ჯარებ-ს ან შეიარაღებული ძალების სახეობებისათვის) სამხ. კ-ს.

კოდი ს ა ტ ე ლ ე გ რ ა ფ ო, დენის იმპულსების ერთობლიობა, რ-იც შეესაბამება ტელეგრაფით გადასაცემი ანბანის ციფრებისა და ნიშნების კომბინაციას.

არსებობს თანაბარი და არათანაბარი კ.; თანაბარ კ-ში იმპულსთა რაოდენობა და ხანგრძლივობა ყველა ნიშნისათვის ერთნაირია (ტელეტაიპის კ.), არათანაბარში კი — განსხვავებული (მორზეს კ.; ცხრ. 1). მორზეს კ-ის გამოყენება ქართ. ანბანით დაიწყო თბილისსა და ფოთს შორის სატელეგრაფო კავშირის დამყარების დღიდან (1860).

უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა კომბინირების პრინციპით აგებული თანაბარი კ., რ-ის კომბინაციებში გამოყენებულია სხვადასხვა მიმართულების დენის იმპულსები (საერთაშ. კ. № 2. ცხრ. 2) ან ნაკადიანი და უნაკადო იმპულსები. კომბინაციების რიცხვი დამოკიდებულია იმპულსთა რაოდენობაზე. ხუთნიშნიანი კ. ქმნის $2^5=32$ კომბინაციას, 7-ნიშნიანი — $2^7=128$-ს და ა. შ.;

სსრკ-ში მიღებულია სამრეგისტრიანი კ. № 2, რ-იც საშუალებას იძლევა მიღებულ და გადაცემულ იქნეს რუსულ-ლათინური ნიშნები, ციფრები და სასვენი ნიშნები. ამავე პრინციპით არის შედგენილი ქართ. ტელეგრაფის აპარატის კ. (დაამუშავეს 1973 ქ. რიაზანში. იქვე დაამზადეს შრიფტიც). *ა. ყარყარაშვილი.*

კოდი ტ ე ლ ე მ ე ქ ა ნ ი კ ა შ ი, სიგნალების სისტემა, რ-საც იყენებენ კავშირის არხით ტელემექანიკური ინფორმაციის გადასაცემად. კ-ის ცალკეული ელემენტის ასახვისა და გადაცემისათვის გამოიყენება უმეტესად ელექტრული სიგნალის სხვადასხვა ნიშანი (პოლარულობა, ამპლიტუდა, ფაზა, ხანგრძლივობა, სიხშირე და სხვ.). მაგ., ორობით კ-ში ციფრები „0" და „1" ერთმანეთისაგან განსხვავებულია სიგნალის პოლარულობით. „0 -ის"კოდირება უარყოფითი იმპულსით ხდება, ხოლო „1 -ისა"— დადებითი იმპულსით. სიხშირულ კ-ში სიგნალის მაღალი სიხშირე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მიგვანიშნებს, რომ ინფორმაციული ელემენტი არსებობს, დაბალი სიხშირე კი ასეთი ელემენტის არსებობას გამორიცხავს. *ბ. მებუკე.*

კოდი ც ი ფ რ უ ლ გ ა მ ო მ თ ვ ლ ე ლ მ ა ნ ქ ა ნ ე ბ შ ი (ცგმ-ში), პირობითი ნიშნების სისტემა, რ-საც იყენებენ ცგმ-ში ინფორმაციის შესატანად. კ. სხვადასხვა სახეობისაა. მაგ., ალგორითმულ ენებზე დაწერილ პროგრამებსა და ტექსტებს ცგმ-ში ასახავენ არაპოზიციური სიმბოლური (ასოებითა და ციფრებით შედგენილი) კ-ით, რიცხვით ინფორმაციას კი — პოზიციური კ-ით. პოზიციური კ-ით წარმოდგენილ რიცხვში ყოველი ციფრის მნიშვნელობა განისაზღვრება მისივე პოზიციით (ადგილმდებარეობით) ამ რიცხვში. პოზიციური კ-ის ფუძე უმეტესად ორის ტოლია. ორობითი კ-ის უპირატესობა იმით არის განპირობებული, რომ ცგმ-ის კვანძები და მოწყობილობები (ინფორმაციის გადამუშავების საშუალებანი) უმთავრესად აგებულია ორ პოზიციურ ელემენტზე ორი მდგრადი მდგომარეობით. კ-ის ფიზ. ფორმა დამოკიდებულია ინფორმაციის მატარებლის სახეობაზე. მაგ., წერილობით დოკუმენტებში კ. წარმოდგენილია ათვლის ორობითი სისტემის ციფრებით („1" და „0"), პერფოქარტაზე — გახვრეტილი და გაუხვრეტელი პოზიციებით, ინფორმაციის მაგნ. გადამტანებზე (მაგნ. ფირი, მაგნ. დოლი)—დამაგნიტებული უბნებით და ა. შ.

არითმ. და სხვა სახის ოპერაციების შესრულების გაადვილებისა და ამ ოპერაციათა შედეგად მიღებული რიცხვის ავტომ. დადგენისათვის, აგრეთვე დადებითი და უარყოფითი რიცხვების ცგმ-ში წარმოსადგენად იყენებენ სპეც., ე. წ. პირდაპირ, შებრუნებულ და დამატებით კ-ებს (პირველს — დამხსომებელ მოწყობილობაში რიცხვის შენახვის დროს, მეორე და მესამეს — რიცხვებზე არითმ. და სხვა სახის ოპერაციათა შესასრულებლად). სამივე შემთხვევაში სრული კ-ის შემადგენელი ნაწილებია: ნიშნის კ. (რ-ის თანრიგთა რაოდენობა $l=1$ ან 2-ს), რიცხვის მთელი ნაწილის კ. (m თანრიგი) და რიცხვის წილადი ნაწილის კ. (n თანრიგი), ჯამი $d=l+m+n$ განსაზღვრავს კ-ის სრულ სიგრძეს. ცგმ-ში l, m და n პარამეტრები ფიქსირებულია. დადებითი რიცხვების ნიშნის კ. გამოისახება l რაოდენობის ნულებით, უარყოფითი რიცხვების ნიშნის კ. — l რაოდენობის ერთიანებით. დადებითი



მორზეს კოდის ნიშნები	ასოები: რუს.	ასოები: ლათ.	ასოები: ქართ.	მორზეს კოდის ნიშნები	ციფრები, სასვენი ნიშნები, სასამსახურო სიგნალები
·—	А а	Aa	ა	·—————	1
—···	Б б	Bb	ბ	··———	2
·——	В в	Ww	ვ	···——	3
——·	Г г	Gg	გ	····—	4
—··	Д д	Dd	დ	·····	5
·	Е е	Ee	ე	—····	6
···—	Ж ж	Vv	ჟ	——···	7
——··	З з	Zz	ზ	———··	8
··	И и	Ii	ი	————·	9
—·—	К к	Kk	კ	—————	0
·—··	Л л	Ll	ლ	·—·—·—	(,) მძიმე
——	М м	Mm	მ	·· ·· ··	(.) წერტილი
—·	Н н	Nn	ნ	—·—·—	(;) წერტილ-მძიმე
———	О о	Oo	ო	———···	(:) ორი წერტილი
·——·	П п	Pp	პ	··——··	(?) კითხვ. ნიშანი
·—·	Р р	Rr	რ	—··—·	(№) ნომერი
···	С с	Ss	ს	·—·—·—·	(„") ბრჭყალები
—	Т т	Tt	ტ	·————·	(·) აპოსტროფი
··—	У у	Uu	უ	——··—	() ფრჩხილები
··—·	Ф ф	Ff	ფ	——··——	(!) ძახილის ნიშანი
····	Х х	Hh	ხ	———··—	(–) ჯირე
—·—·	Ц ц	Cc	ცა	—·—··	ცდა
———·	Ч ч	—	ჩ	···—·	ბაკიგე
————	Ш ш	—	შ	—————	(/) ნილადის ხაზი
——·—	Щ щ	Qq	ქ	——·—	გაყოფის ნიშანი
—·——	Ы ы	Yy	ყ	·····	შეცდომის გასწორება
·—·—	Ю ю	—	ღ	—·—··	გადაყვანის დაწყების ნიშანი
·—··	Я я	—	ძ	·—·—·———	მიღებისათვის მზადყოფნა
·———	Й й	Jj	თ	·—·—·	(+) დეპეშის დამთავრება
—··—	Ь, Ъ	Xx	ნ	··——·—	ხაზგასმის ნიშანი
——··	Э э	Ee	ჭ	·—·—·	მთ. რიცხვის წილადისაგან გამოყოფის ნიშანი
·————·	—	—	ჯ		
·————··	—	—	ჰ	·—·—·—·	მოქმედების დაწყება

კოდი სატელეგრაფო· ცხრ. 1.

კომბინაც. №	ლათინური ანბანი	რუსული ანბანის ასოები	ციფრები, ასოები, სასვენი ნიშნები	გზავნილებათა კომბინაციები					ქართული შრიფტიანი ტელეგრ. აპარატისათვის: ანბანი	ციფრები, ასოები, სასვენი ნიშნები	ანბანი
1	A	А	—	+	+	—	—	—	ა	—	ჰ
2	B	Б	?	+	—	—	+	+	ბ	?	
3	C	Ц	:	—	+	+	+	—	ცა	:	ნ
4	D	Д	ვინ არის ☒	+	—	—	+	—	დ	ვინ არის	ძ
5	E	Е	3	+	—	—	—	—	ე	3	
6	F	Ф	Э	+	—	+	+	—	ფ		
7	G	Г	Ш	—	+	—	+	+	გ	შ	ღ
8	H	Х	Щ	—	—	+	—	+	ხ		
9	I	И	8	—	+	+	—	—	ი		
10	J	Й	Ю(ზარი)	+	+	—	+	—	ყ	ზარი	
11	K	К	(	+	+	+	+	—	კ	(	
12	L	Л	)	—	+	—	—	+	ლ	)	
13	M	М	·	—	—	+	+	+	მ	·	
14	N	Н	, (მძმ)	—	—	+	+	—	ნ	, (მძმ)	№
15	O	О	9	—	—	—	+	+	ო		
16	P	П	0	—	+	+	—	+	პ		
17	Q	Я	1	+	+	+	—	+	ჩ	1	ჭ
18	R	Р	4	—	+	—	+	—	რ	4	
19	S	С	'(აპოსტ)	+	—	+	—	—	ს	'(აპოსტ)	
20	T	Т	5	—	—	—	—	+	ტ	5	
21	U	У	7	+	+	+	—	—	უ	7	
22	V	Ж	=	—	+	+	+	+	ჟ	=	ჯ
23	W	В	2	+	+	—	—	+	ვ	2	
24	X	Ь	/	+	—	+	+	+	თ	/	
25	Y	Ы	6	+	—	+	—	+	ყ	6	
26	Z	З	+	+	—	—	—	+	ზ	+	
27	კარეტის დაბრუნება <			—	—	—	+	—	კარეტის დაბრუნება <		
28	სტრიქონის გადაყვანა ≡			—	+	—	—	—	სტრიქონის გადაყვანა ≡		
29	ლათინური ასოები			+	+	+	+	+	ლათინური ასოები		
30	ციფრები			+	+	—	+	+	ციფრები		
31	ინვერსიული			—	—	+	—	—	ინვერსიული		
32	რუსული ასოები			—	—	—	—	—	რუსული ასოები		

კოდი სატელეგრაფო ცხრ. 2.



ფეროზონდიანი კოერციტიმეტრი (ბლოკ-სქემა); 1, 2 — ფეროზონდიანი მგრძნობიარე ელემენტები; 3 — ფეროზონდიანი ნულოვანი ხელსაწყო; 4 — ნიმუში; 5 — ნიმუშის მაგნიტური ველის ძალური ხაზები; 6 — დამამაგნიტებელი კოჭა.

ს. კოვალევსკაია.

ა. კოვალევსკი.

რიცხვების პირდაპირი, შებრუნებული და დამატებითი კ-ები ერთნაირია და თვით რიცხვს შეესაბამება. უარყოფითი რიცხვის პირდაპირი კ-ით წარმოდგენის დროს იცვლება მხოლოდ ნიშნის კ., შებრუნებულ კ-ში კი ამ რიცხვის ციფრები უნდა შეიცვალოს (ნული — ერთიანით და ერთიანი — ნულით). დამატ. კ-ში მოცემული რიცხვის ციფრების შეცვლის შემდეგ უნდა მიემატოს *d* თანრიგის რიცხვი, რ-ის უკანასკნელ თანრიგში ჩაწერილია 1, დანარჩენ თანრიგებში კი — ნულები.

პოზიციური ორობითი კ-ის გარდა ცგმ-ში ფართოდ იყენებენ ორობით — ათობით, ორობით — რვაობით სისტემებს.

ბ. მებუკე.

კოდიანი, მთა თრიალეთის ქედზე, მდ-ების ბორჯომულისა და დვირულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადები) წყალგამყოფზე, სიმაღლე 2688 *მ*. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური ტუფბრექჩიებით. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. ჩრდ. კალთაზე გავრცელებულია დეკა. *ლ. მარუაშვილი.*

კოდიბინა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნში (მსხლების სოფსაბჭო), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1120 *მ*, ჯავიდან 3 *კმ*. ჯავის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. სკოლა დაბა ჯავაში. კ-ში არის სამკურნ. გოგირდოვანი წყარო.

კოდიკი, მარცვლეულის საწყაო საქართველოში. კოდის 1/16, XVIII ს. დასაწყისში 1,8—2 *კგ* შეადგენდა.

კოდირება, ერთი კოდით წარმოდგენილი სიმბოლოების (ნიშნების) ან სიმბოლოების ჯგუფის გარდაქმნა მეორე კოდით წარმოდგენილ სიმბოლოებში ან სიმბოლოების ჯგუფში. კ-ის აუცილებლობა უმთავრესად გამოწვეულია ინფორმაციის გადამცემი, მიმღები და შემნახველი მოწყობილობების ურთიერთშეთანხმებისათვის. ასე მაგ., რომელიმე ენის ასოების თანამიმდევრობით წარმოდგენილი ინფორმაცია ტელეგრაფული კოდის საშუალებით გარდაიქმნება ელექტრული დენის იმპულსების კომბინაციებში, იგი გაივლის *საინფორმაციო არხს* და მიმღებ მოწყობილობაში კვლავ გარდაიქმნება (დეკოდირება) ენის ასოების თანამიმდევრობად. ციფრულ გამომთვლელ მანქანაში ინფორმაციის შეტანისას ხორციელდება ასოებისა და ათობით სისტემაში წარმოდგენილი რიცხვების კ. ორობითი სისტემით.

მოწყობილობას (სქემას), რ-ის მეშვეობით ერთი კოდით წარმოდგენილ სიგნალებს მეორე კოდით წარმოდგენილ სიგნალებად გარდაქმნიან, კ ო დ ი ს გ ა რ დ ა მ ქ მ ნ ე ლ ი ეწოდება. კ-ის, როგორც პროცესის კანონზომიერებებს, შეისწავლის კ ო დ ი რ ებ ი ს თ ე ო რ ი ა, რ-იც წარმოადგენს *ინფორმაციის თეორიის* ერთ-ერთ დარგს. ხშირად კოდირებულ ინფორმაციაში შეაქვთ გარკვეული ნაჭარბი ინფორმაცია, რ-იც უზრუნველყოფს ძირითადი ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას დაუმახინჯებლად. ამგვარად წარმოდგენილ კოდს კ ო დ ი ს ს ი ჭ ა რ ბ ე ს უ წ ო დ ე ბ ე ნ. ისეთ კოდს, რ-იც ავტომატურად აღმოაჩენს კ-ის ან მისი გადაცემის და მიღების დროს დაშვებულ შეცდომებს, მ ა კ ო რ ე ქ ტ ი რ ებ ე ლ ი კ ო დ ი ეწოდება. კ-ის თეორ. საკითხების შესწავლა ხელს უწყობს თანამედროვე გამომთვლელი და სხვადასხვა ტიპის კავშირგაბმ. სისტემის საიმედო მუშაობის საკითხების გადაჭრას.

ლიტ.: Ф а н о Р. М., Передача информации, пер. с англ., М., 1965.

კოდის გარდამქმნელი, იხ. სტ. *კოდირება.*

კოდისპირი, სახელმწიფო გადასახადი გვიანი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. იხდიდა თითოეული კომლი ოთხი კოდი პურის ან ორი კოდი პურისა და ორნახევარი კოდი ქერის რაოდენობით. XIX ს. დასაწყისიდან იხდიდნენ მხოლოდ სახელმწ. გლეხები, ხოლო 40-იანი წლებიდან კ., ისე როგორც ყველა სხვა გადასახადი, ერთიანი საკომლო ფულადი გადასახადით შეიცვალა.

კოდისწყარო, დუშეთის რ-ნის სოფლების *ზემო კოდისწყაროსა* და *ქვემო კოდისწყაროს* ძვ. სახელწოდება.

კოდისწყარო, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში (შეხვეტილის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ალგეთის ხეობაში. ზ. დ. 1290 *მ*, თეთრი წყაროდან 54 *კმ*. მანგლისის მერძეველობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა სოფ. შეხვეტილაში (2 *კმ*).

კოდისწყარო, სოფელი კასპის რ-ნში, შიდა ქართლის ვაკეზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ზადაინთკარი, ზემო რენე, ნიგოზა, სარიბარი, ქვემო რენე, ყარაფილა, ჩობალაური). ზ. დ. 740 *მ*, კასპიდან 22 *კმ*. მეხილეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა.

კოდიფიკაცია (*კოდი* და ლათ. facio—ვაკეთებ), კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის უმაღლესი ფორმა. ინკორპორაციისაგან განსხვავებით, კ-ის დროს ხდება სამართ. აქტების არა უბრალო შეერთება, არამედ სამართ. რომელიმე დარგის მიხედვით მთელი დაგროვილი ნორმატიული მასალის გადამუშავება, შევსება და სისტემატიზაცია ერთიანი პრინციპების საფუძველზე. კ-ის შედეგად იქმნება დამოუკიდებელი კრებითი აქტი (ხშირად კოდექსის სახით), რ-შიც აღმოფხვრილია ადრინდ. სამართ. ნორმებში არსებული წინააღმდეგობანი და შეუთანხმებლობა, შევსებულია ხარვეზები, ძვ. ნორმები შეცვლილია ახლით და სხვ.

სსრკ-ში ყოვლისმომცველი კ. სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით გატარდა 60—70-იან წლებში. ამ დროს მიიღეს სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების *კანონმდებლობის საფუძვლები*, რ-ის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნა ახ. კოდექსები (მაგ., *სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი*).

მოქმედ საერთაშ. სამართ. ნორმათა კ. ძირითადად *გაერის* თაოსნობით ხდება. განასხვავებენ საერთაშ. სამართლის ოფიც. კ-ს, რ-იც სახელმწიფოთა შეთანხმებით ხორციელდება, და არაოფიც. ანუ მეცნ. კ-ს, რ-საც საზ. ორგანიზაციები (მაგ., საერთაშ. სამართ. ინ-ტი) ან მეცნიერი იურისტები ახორციელებენ.

კოდიჯვარი, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში (გდუს სოფსაბჭო), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ალეურის (ქსნის მარცხ. შენაკადი) სათავეში. ზ. დ. 1300 *მ*, ლენინგორიდან 23 *კმ*. ლენინგორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. რვაწლ. სკოლა-ინტერნატი სოფ. კორინთაში (16 *კმ*). კლუბი.

კოდმანი, სოფელი ქარელის რ-ნში (გვერძინეთის სოფსაბჭო), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. აბუხალოსღელის (ძამის აუზი) ნაპირას. ზ. დ. 1025 *მ*, ქარელიდან 24 *კმ*. გვერძინეთის სატყეო მეურნეობა (მეცხოველეობა). დაწყ. სკოლა. რვაწლ. სკოლა სოფ. გვერძინეთში (3 *კმ*). მდინარის პირას, მაღალ კლდეზე, შემორჩენილია საყარაულო კოშკის ნანგრევები. მის მახლობლად ნასოფლარია დანგრეული გვიანდ. ფეოდ. ხანის ეკლესიით.

კოდოვილია (Codovilla) ვიქტორიო (8. II. 1894, სოფ. ოტობიანო, პავიის პროვინცია, იტალია, — 15. IV. 1970, მოსკოვი), არგენტინისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 1911 შევიდა იტალ. სოციალ. პარტიაში. 1912 რევ. საქმიანობისათვის დევნილი კ. ემიგრაციაში წავიდა არგენტინაში. არგენტ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი. მონაწილეობდა გაზ. „ინტერნაციონალის" („La Internacional") დაარსებაში. კ. არის არგენტ. კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (დაარსდა 1918). 1941—63 არგენტ. კომპარტიის ცკ-ის მდივანი, 1963 — თავ-რე. რევ. საქმიანობისათვის არაერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს. მის კალამს ეკუთვნის თეორ. შრომები, რ-ებშიც იცავს მარქსიზმ-ლენინიზმს რევიზიონიზმისა და სექტანტობისაგან, გამოდის საერთაშ. მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის დამცველად. დაჯილდოებულია ოქტ. რევ. ორდენით. (1969).

თხზ.: Избр. статьи и речи, М., 1970; Статьи и речи. 1926—1956, М., 1957.

გ. ბოლოთაშვილი.

კოდორი, მდინარე აფხაზეთში. იქმნება მდ-ების გვანდრისა და საკენის შეერთებით სოფ. მარცხ. გენწვიშთან, ზ. დ. 740 *მ*-ზე. ერთვის შავ ზღვას სოფ. აბუბჟის სამხრ-ით. სიგრძე 84 *კმ* (გვანდრის სათავიდან 110 *კმ*), აუზის ფართ. 2030 *კმ*². კ-ის შენაკადთა უმეტესობას სათავე აქვს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სამხრ. კალთაზე. უმთავრესი შენაკადებია: ჩხალთა, მრამბა, ჯამპალი ამტყელით. კ-ის აუზში 100-მდე მყინვარია (მარუხი, პტიში, ყლიჩი, კლუბორი, საკენი და სხვ.), რ-თა ფართ. 80 *კმ*² აღწევს.

კ. საზრდოობს წვიმის (31,0%), მიწისქვეშა (28,6%), თოვლის (22,6%) და მყინვარული (17,8%) წყლით. წყალდიდობაა მარტის მეორე ნახევრიდან სექტ. ბოლომდე. წლ. ჩამონადენის 72% გაზაფხულ-ზაფხულზე მოდის. შემოდგომაზე იცის წყალმოვარდნები, წყალმცირობა ზამთარშია. კ. წყალუხვი მდინარეა. წლ. ჩამონადენი— 4,1 *კმ*³. შესართავთან აჩენს დელტას.

ი. აფხაზავა.

კოდორის ქედი, აფხაზეთის კავკასიონის სამხრ. ტოტი, რ-იც მდ. კოდორის აუზს გამოჰყოფს მდ-ების ენგურის, ღალიძგის, მოქვისა და სხვ. აუზებისაგან. შედგება ორი მონაკვეთისაგან, რ-ებიც ერთმანეთს უკავშირდება ხოჯალის მთის მასივში. ერთი მონაკვეთი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან ხოჯალის მთამდე მიმართულია სამხრ.-დას.-კენ, 30 *კმ* სიგრძისაა და დაგვირგვინებულია მოგუაშირის მწვერვალით. მის შუა ნაწილში, მდ-ების საკენისა და ნენსკრის წყალგამყოფზე მდებარეობს ხიდის უღელტეხილი. კ. ქ-ის ამ მონაკვეთს სვანეთ-აფხაზეთის ქედი ეწოდება. მეორე ნაწილი ხოჯალის მთიდან მდ. კოდორის ქვემო დინებამდე განედურადაა გაწოლილი 51 *კმ* სიგრძეზე და ცნობილია ფ ა ნ ა ვ ი ს ქ ე დ ი ს სახელით. კ. ქ. აგებულია პალეოზოური კრისტ. კომპლექსით, ქვედაიურული ფიქლებით, ბაიოსის პორფირიტული წყებითა და ცარცული კირქვებით. ქედის დასაწყისში მყინვარებია. შემოსილია მდელოებითა და წიწვიანი ტყით, რ-იც მთავარი ქედიდან ხიდის უღელტეხილამდე ვრცელდება. გარდა ამისა, წიწვიანები ქმნიან განცალკევებულ „კუნძულს" ხოჯალის მასივზე. ამ უკანასკნელის დას-ით ისპობა ჯერ ნივალური ზონა, შემდეგ ალპური. ფანავის ქედის დას. ნახევარი მთლიანად ტყიან ზონაშია მოქცეული. *ლ. მარუაშვილი.*

კოერციტიმეტრი, ფერომაგნიტური მასალის *კოერციტიული ძალის* საზომი ხელსაწყო. გავრცელებულია ისეთი კ., რ-ის მუშაობის პრინციპი ნიმუშის დამაგნიტებას ემყარება. გაზომვის დროს გამოსაცდელ ნიმუშს გაჯერებამდე ამაგნიტებენ კ-ის დამამაგნიტებელ კოჭაში (ან ელექტრომაგნიტში). შემდეგ კი კოჭაში მუდმივი დენის ძალას ზრდიან მანამდე, სანამ ნიმუშის დამაგნიტება ნულამდე არ შემცირდება, რ-საც არეგისტრირებენ სხვადასხვა სახის ინდიკატორით (ნულოვანი ხელსაწყოებით). დამამაგნიტებელი ველის დაძაბულობას განსაზღვრავენ კ-ის კოჭაში გამავალი დენის მიხედვით, რისთვისაც წინასწარ ადგენენ კოჭათი წარ-

მოქმნილი მაგნ. ველის დაძაბულობის დამოკიდებულებას კოჭას გრაგნილში გამავალი დენის ძალაზე. დამამაგნიტებელი კოჭას წრედში ჩართულ ამპერმეტრს ხშირად აქვს სკალა, რ-იც გრადუირებულია უშუალოდ მაგნ. ველის დაძაბულობის ერთეულებით.

არსებობს მაგნიტოდინამ., ფეროზონდიანი (ნახ.), მოვიბრირეკოჭებიანი და სხვა სახის კ-ები.

კოერციტიული ძალა, კ ო ე რ ც ი ტ ი უ ლ ი ვ ე ლ ი (ლათ. coërcitio— დაჭერა), *ჰისტერეზისის* მოვლენის ერთ-ერთი მახასიათებელი.

კოეფიციენტები სტ ა ტ ი ს ტ ი კ ა შ ი, შეფარდებითი სიდიდეებით გამოსახული თვისებრივი მაჩვენებლები. კ-ის მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს: 1. რაიმე სოციალ.-ეკონ. მოვლენის განვითარების სისწრაფე; 2. განსაზღვრულ გარემოში მოვლენათა წარმოშობის სიხშირე; 3. შრომითი, მატერ. ან ფულადი რესურსების გამოყენების ხარისხი; 4. თვისებრივად განსხვავებული მოვლენების ურთიერთკავშირი; 5. ნიშან-თვისებათა სიდიდეების ვარიაცია (მერყეობა). კ. სტატისტიკაში ეამოისახება პროცენტობით, პრომილეთი, ერთეულთან შეფარდებით.

კოეფიციენტი [ლათ. co (cum) — ერთობლივად და efficiens, ნათ. ბრ. efficientis— წარმომქმნელი], რიცხობრივი მამრავლი ასოით გამოსახულებასთან, ცნობილი მამრავლი უცნობის ამა თუ იმ ხარისხთან ან მუდმივი მამრავლი ცვლად სიდიდესთან. მაგ.,—$7a^3b^5$ ერთწევრთან კ. არის—7, $x^2+px+q=0$ განტოლებაში კ. x^2-თან არის 1, ხოლო x-თან p; $l=2\pi r$ წრეწირის სიგრძის ფორმულაში კ. არის 2π; წრფის $y=kx+b$ განტოლებაში k რიცხვს, რ-იც წრფის Ox ღერძთან დახრის კუთხის ტანგენსს გამოსახავს, ეწოდება ს ა კ უ თ ხ ო კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ი. ფიზ. კანონების გამომსახველ ფორმულებში მრავალ კ-ს აქვს თავისი სახელწოდება. მაგ., ხახუნის კ., სინათლის შთანთქმის კ. და ა.შ.

კოვალევსკაია სოფიო ვასილის ასული [3 (15). I. 1850, მოსკოვი,—29. I (10. II). 1891, სტოკჰოლმი], რუსი მათემატიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი, პეტერბ. მეცნ. აკად. პირველი წ.-კორ. ქალთა შორის (1889). კ-მ ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოამჟღავნა განსაკუთრებული მათ. ნიჭი. 1870 წელს იგი გადავიდა ბერლინში, სადაც 4 წელი მუშაობდა კ. *ვაიერშტრასთან*. 1874, ვაიერშტრასის წარდგინებით, გეტინგენის უნ-ტმა კ-ს 3 შრომის საფუძველზე დაუსწრებლად მიანიჭა დოქტორის ხარისხი. 1883 ნოემბერში კ. გაემგზავრა შვეიცარიაში, საიდანაც მიიღო შვედი მათემატიკოსის მ. გ. მიტაგ-ლეფლერის მოწვევა, სტოკჰოლმის უნ-ტის პრივატ-დოცენტის თანამდებობის დასაკავებლად. 1888 დაწერა შრომა „ამოცანა უძრავი წერტილის გარშემო მბრუნავი მყარი ტანის შესახებ", რისთვისაც პარიზის მეცნ. აკადემიამ მიანიჭა პრემია, მეორე ნაშრომისათვის „მბრუნავი მყარი ტანის შესახებ" 1889 მიანიჭეს შვეციის მეცნ. აკად. პრემია. კ. რამდენიმე მოთხრობის და დრამის ავტორია.

თხზ.: Научные работы, М.—Л., 1948 (ახლავს ბიბლიოგრ.).

ლიტ.: Полубаринова-Кочина П. Я., Жизнь и деятельность С. В. Ковалевской, М.—Л., 1950.

კოვალევსკი ალექსანდრე ონოფრეს ძე [7 (19). XI. 1840, ვარკავის თემი, ახლანდ. პრეილის რ-ნი, ლატვ. სსრ, —9 (22). XI. 1901, პეტერბურგი], რუსი ბიოლოგი, ევოლუციური ემბრიოლოგიისა და ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1890). ვ. *კოვალევსკის* უფროსი ძმა. შეისწავლა ქორდიანთა (ამფიოქსუსი) და მრავალი უხერხემლო ცხოველის ემბრიონული განვითარება და დაადგინა ცხოველთა განვითარების საერთო კანონზომიერებანი, აგრეთვე გამოიკვლია გამომყოფი სისტემის სტრუქტურა და ფუნქციები, აღმოაჩინა და შეისწავლა უხერხემლო ცხოველთა ფაგოციტური ორგანოები და მათი როლი მწერების მეტამორფოზში. კ-ის გამოკვლევებმა ი. *მეჩნიკოვის* და ე. *ჰეკელის* ნაშრომებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ფილოგენეზურ მიმართულებას ემბრიოლოგიაში.

თხზ.: Избр. работы, М., 1951.

ლიტ.: Бляхер Л. Я., История эмбриологии в России (с середины XIX до середины XX вв.). Беспозвоночные, М., 1959.

კოვალევსკი ვლადიმერ ონოფრეს ძე [2 (14). VIII. 1842, ვარკავის თემი, ახლანდ. პრეილის რ-ნი, ლატვ. სსრ, — 16 (28). IV. 1883, მოსკოვი], რუსი პალეონტოლოგი, ევოლ. *პალეონტოლოგიისა* და *პალეობიოლოგიის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. ა. *კოვალევსკის* უმცრ. ძმა. კ-ის ნაშრომები ეხება პალეონტოლ. ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიცაა ნამარხი ჩლიქოსნების კიდურების, ქალას და კბილების მორფოლოგია, მათი კლასიფიკაცია და ფილოგენია. მის გეოლ. გამოკვლევებში განხილულია მეზოზოური და კაინოზოური ერების ნალექთა სტრატიგრაფიისა და პალეოგეოგრ. საკითხები. პალეონტოლ. მასალის შესწავლისას კ. ემყარებოდა დარვინიზმის ძირითად დებულებებს, რის შედეგადაც გამოავლინა მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი (მ. შ. ე. წ. *კოვალევსკის კანონი*), რ-თაც დიდი როლი ითამაშეს ევოლ. მოძღვრების შემდგომ განვითარებაში. კ-ის გამოკვლევებს დიდად აფასებდა თვით ჩ. დარვინი.

თხზ.: Собр. научных трудов, т. 1—2, М., 1950—56.

ლიტ.: Давиташвили Л. Ш., В. О. Ковалевский, М.—Л., 1946.

კოვალევსკი მაქსიმ მაქსიმის ძე [27. VIII (8. IX). 1851, ხარკოვი, — 23. III (5. IV). 1916, პეტროგრადი], რუსი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, იურისტი, სოციოლოგი. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1914). 1872 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი; სწავლობდა აგრეთვე ბერლინში, ვენაში, პარიზსა და ლონდონში. 1878—87 მოსკ. უნ-ტის პროფესორი, 1905—16 პეტერბ. უნ-ტის პროფესორი. 1906 დააარსა დემოკრ. რეფორმების პარტია კონსტ.-მონარქიული მიმართულებისა. 1906 აირჩიეს I სახელმწ. სათათბიროში, 1907 — სახელმწ. საბჭოში. თავისი შეხედულებებით პოზიტივისტი იყო, ამასთან ერთად განიცადა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გავლენა (პირადად იცნობდა მათ). მისი სამეცნ. ნაშრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შრომებს თემის შესახებ, რ-ებმაც მარქსიზმის ფუძემდებელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. კ-მ 3-ჯერ იმოგზაურა კავკასიაში (1883, 1885, 1887). აქ შეგროვილი მასალა (ძირიოადად დაღესტანში), საფუძვლად დაედო გამოკვლევებს გვაროვნ. ურთიერთობისა და მისი დაშლის ფორმების შესახებ: „კანონი და ზნე-ჩვეულებები კავკასიაში" (1890), „გვაროვნული ყოფა ძველ და ახალ დროში" (1905) და სხვ. კ. ცდილობდა ისტ. საკითხების შესწავლას სოციოლოგიური თვალსაზრისით და მარქსიზმს უპირისპირებდა საზ-ბის ევოლ. სრულყოფის თეორიას. კლასობრივ ბრძოლას იგი თვლიდა საზ-ბის „გადაგვარების" ნიშნად. აქედან ჩამოყალიბდა მისი პოლიტ. დოქტრინა კონსტ. ანუ „სახალხო" მონარქიის შესახებ.

კოვალევსკი (Kowalewski) ოსიპ (იუზეფ) მიხეილის ძე [28. XII. 1800 (9. I. 1801), სოფ. ბოლშეი-ბრჟესტოვიცი, ამჟამად ვოლკოვისკის რ-ნი, გროდნოს ოლქი,— 20. X. 1878, ვარშავა], პოლონელი და რუსი სწავლული, მონღოლთმცოდნე, პროფესორი (1833), პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1847). პარიზის სააზიო საზ-ბის საპატიო წევრი (1839). 1833—60 ყაზანის უნ-ტის პროფესორი, 1862-იდან ვარშავის მთავარი სკოლის (1869 გარდაიქმნა უნ-ტად) პროფესორი. მისი ძირითადი შრომებია: „მონღოლური მწიგნობრული ენის მოკლე გრამატიკა" (1835), „მონღოლური ქრესტომათია" (ტ. 1—2, 1836—37), „მონღოლურ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი" (ტ. 1—3, 1844—49), რ-საც მეცნ. აკადემიამ მიანიჭა დემიდოვის სახ. პრემია.

თხზ.: Буддийская космология, Каз., 1837; Каталог санскритским, монгольским, тибетским, манджурским и китайским книгам и рукописям, в библиотеке Казанского университета хранящимся, «Ученые записки Казанского ун-та», 1834, [т.] 2; Содержание монгольской книги под заглавием: «Море притч», იქვე, 1834, [т.] 1—2.

კოვალევსკის კანონი, ევოლუციის კანონზომიერება, რ-ის თანახმად, ერთსა და იმავე შეგუებით ეფექტს ორგანიზმთა ერთმა და იმავე ჯგუფმა სხვადასხვა გზით შეიძლება მიაღწიოს. ორგანიზმების ნაწილი სწრაფად, უმთავრესად რაოდენობრივი ცვლილებების გზით ვითარდება, რის შედეგადაც მიიღება ახ. პირობებთან კარგად შეგუებული, მაგრამ შემდგომი პროგრ. გარდაქმნის უნარს მოკლებული და, ამრიგად, ამოსაწყდომად განწირული ორგანიზაცია (ინადაპტიური ტიპი); ორგანიზმის მეორე ნაწილი ნელა, მაგრამ ღრმად, პრინციპულად, გარდაიქმნება, რის შედეგადაც ჯალიბდება უფრო სრულქმნილი შეგუების ტიპები (ადაპტიური ტიპი). ეს კანონზომიერება დაადგინა ვ. *კოვალევსკიმ* ნამარხი ჩლიქოსნების კიდურების ჩონჩხის რედუქციის შესწავლისას (ინადაპტიური და ადაპტიური რედუქცია), შემდეგ კი იგი გამოვლინდა სხვა ორგანიზმების ფილოგენეზშიც (ა. ა. მას ლ. *დავითაშვილმა* უწოდა).

ლ. ნათაძე.

კოვალენსკი პეტრე ივანეს ძე (გ. 1817), რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოში 1799—1800. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1801, დაინიშნა „საქართველოს მმართველად" და ამავე დროს I განყ-ბის — აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსად. ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ჩადენილ დანაშაულობათა გამო (მექრთამეობა, კარიერიზმი) 1802 სექტ-ში რუს. მთავრობამ უკან გაიწვია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

კოვალენტური ბმა, ორ ატომს შორის ქიმ. ბმის ერთ-ერთი სახე, რ-იც ხორციელდება მათი საზიარო ელექტრონების ხარჯზე. კ. ბ. შეიძლება იყოს როგორც ერთგვარ ატომებს (H_2, Cl_2, N_2 და სხვ.), ისე ორ სხვადასხვა ატომს (SiC, H_2O და სხვ.) შორის. კ. ბ-ით წარმოქმნილი მოლეკულა ან ქიმ. ნაერთი მტკიცეა, ახასიათებს ნაკლები ქიმ. აქტიურობა (მაგ., პარაფინულ ნახშირწყალბადებს), მაღალი სისალე (მაგ., კარბიდებს, სილიციდებს, ბორიდებს, ნიტრიდებს) და ცვეთამედეგობა (იხ. *ქიმიური ბმა, ვალენტობა*).

კოვალიონოკი ვლადიმერ ვასილის ძე (დ. 3. III. 1942, სოფ. ბელოე, კრუპკის რ-ნი, მინსკის ოლქი), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, საბჭ. კავშირის გმირი (2. XI. 1978). სკკპ წევრი 1962-იდან. 1963 დაამთავრა ბალაშოვის მფრინავთა უმაღლესი სამხ.-საავიაციო სასწავლებელი. მუშაობდა ავიაციაში. კოსმონავტთა რაზმშია 1967-იდან. 1976 დაამთავრა ი. გაგარინის სახ. სამხ.-საჰაერო აკადემია. კ-მა კოსმოსში პირველად 1977 წ. 9—11 ოქტ. იფრინა ვ. *რიუმინთან* ერთად კოსმ. ხომალდ „სოიუზ-25-ით". იყო ხომალდის მეთაური. მეორედ ა. *ივანჩენკოთან* ერთად გაფრინდა კოსმ. ხომალდ „სოიუზ-29-ით" 1978 წ. 15 ივნისს. 17 ივნ. ხომალდი შეუპირაპირდა სამეცნ. სადგურ „სალუტ-6", რ-იც ავტომ. რეჟიმით დაფრინავდა 1978 წ. 16 მარტიდან. ფრენა გაგრძელდა 140 დღ-ღ. ამ ხნის მანძილზე ხომალდს შეუპირაპირდა ორი პილოტირებული და სამი სატრანსპ. ხომალდი. სამედ.-ბიოლ. და სამეცნ.-

ვ. კოვალევსკი.


მ. კოვალევსკი.

ო. კოვალევსკი.

ვ. კოვალიონოკი.

მ. კოვე.

კოვენტრი. ტაპარი. 1954—62. არქიტექტორი ბ. საენზი.

ს. კოვპაკი.

ს. კოზაკი.

ტექ. ექსპერიმენტების შესრულების შემდეგ, 1978 წ. 2 ნოემბ., კოსმონავტები კ. და ივანჩენკოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ. გდრ-ის გმირი (1978), დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 2 უცხოური ორდენით.

კოვარიანტულობა და კონტრავარიანტულობა [ლათ. co(cum) — ერთობლივად, contra — წინააღმდეგ და variо— ვიცვლები), ცნებები, რ-ებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წრფივ ალგებრასა და ტენზორულ აღრიცხვაში. ვთქვათ, n ცვლადის რიცხვების ან ვექტორების ორ სისტემაზე $x_1, x_2, \ldots, x_n$ და $y_1, y_2, \ldots, y_n$ მოქმედებს წრფივი ერთგვაროვანი გარდაქმნები ისე, რომ $x_1, x_2, \ldots, x_n$ ცვლადების ყოველ გარდაქმნას შეესაბამება $y_1, y_2, \ldots, y_n$ ცვლადების გარკვეული გარდაქმნა. თუ x_i ცვლადების გარდაქმნას

$$x_i' = \sum_{j=1}^{n} a_{ij} x_j \qquad (1)$$

შეესაბამება y_i ცვლადების გარდაქმნა

$$y_i' = \sum_{j=1}^{n} a_{ij} y_j,$$

მაშინ x_i და y_i სისტემებს ეწოდება კოვარიანტული (ერთნაირად გარდაქმნილი) ან კოგრედიენტული. თუ x_i ცვლადების (1) ფორმულით განსაზღვრულ გარდაქმნას შეესაბამება y_i ცვლადების გარდაქმნა განსაზღვრული

$$y_i = \sum_{i=1}^{n} a_{ij} y_i'$$

ფორმულით, მაშინ x_i და y_i სისტემებს ეწოდება კონტრავარიანტული (საწინააღმდეგოდ გარდაქმნადი) ან კონტრაგრედიენტული.

ამ ცნებების განზოგადებას წარმოადგენს კოვარიანტული და კონტრავარიანტული ტენზორების ცნება (იხ. *ტენზორული ალრიცხვა*).

კოვასნა (Covasna), უუდეცი ცენტრალურ რუმინეთში, აღმ. კარპატების დას. კალთებსა და ტრანსილვანიის პლატოზე. ფართ. 3,7 ათ. *კმ*². მოსახლ. 194,9 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. სფინტულ-გეორგი. განვითარებულია კვების, ხე-ტყის, ხის დასამუშ., საფეიქრო მრეწველობა. იღებენ ლიგნიტებს. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სართავი სელი. მისდევენ მეცხოველეობას (მსხვ. რქ. საქონელი, ღორი, ცხვარი).

კოვაჩევიჩი (Ковачевић) სავა (იანვ. 1905, სოფ. ნუდო, ქ. ნიქშიჩის მახლობლად, — 13. VI. 1943, სოფ. კრეკოვი მდ. სუტიესკის ნაპირას), იუგოსლავიის სამხედრო მოღვაწე, იუგოსლ. სახ. გმირი (6. VII. 1943; სიკვდილის შემდეგ). იუგოსლ. კომპარტიის (იკპ) წევრი 1925-იდან. 1941 ჩერნოგორიაში პარტიზ. მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მეთაურობდა ნიქშიჩის პარტიზ. რაზმს. ჩერნოგორიის V პროლეტ. ბრიგადას (1942—43), იუგოსლ. სახ.-განმათ. არმიის III დივიზიას (1943 მარტიდან). იუგოსლ. სახ.-განმათ. არმიის უმაღლესი შტაბის წევრი. დაილუპა მტრის სიმაგრეების შტურმის დროს ალყიდან გამოსვლისას.

კოვდოზერო, კოვდა, კოვდოზერო, ტბა რსფსრ მურმანსკის ოლქის სამხრ. ნაწილში. ფართ. კუნძულებიანად 294 *კმ*². კუნძულთა რიცხვი 580 აღემატება (ფართ. დაახლ. 70 *კმ*²). კ-ს მაქს. სიგრძე 48 *კმ*, სიგანე 23 *კმ*, მაქს. სიღრმე 56 *მ*. კნიაჟეგუბის ჰესის აშენებასთან დაკავშირებით (1955) გადაიქცა წყალსაცავად, რის შედეგადაც კ-ს დონე 6,4 *მ*-ით ამაღლდა, ფართ. გაიზარდა 608 *კმ*²-მდე. თევზჭერა, ნაოსნობა, ხე-ტყის დაცურება.

კოვე მიხეილ ალექსის ძე (დ. 14. I. 1914, სოფ. აბაღარხუანი, გუდაუთის რ-ნი), აფხაზი საბჭ. მწერალი. საქ. სსრ სახ. არტისტი (1965). 1931—33 სწავლობდა სოხუმის თეატრ. სტუდიაში. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1931 სოხუმის ჭანბას სახ. დრამ. თეატრის აფხ. დასში, სადაც დღემდე მოღვაწეობს. განსაკუთრებული წარმატებით ასრულებს სახასიათო და კომედიურ როლებს: ელიზბარი (ლაკერბაის „დანაკაი"), მასა (ფაჩალიას „გუნდა"), სოლეიმანი (სუმბათაშვილის „ღალატი"), აკოფა (ცაგარლის „ხანუმა"), ახმა (შანშიაშვილის „ანზორი") და სხვ.

კოველი, ქალაქი უკრ. სსრ ვოლინის ოლქში, მდ. ტურიის (პრიპიატის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი. პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. 1518 ქალაქმა მიიღო *მაგდებურგის სამართალი*. 1564 სიგიზმუნდ ავგუსტმა კ. სამფლობელოდ გადასცა რუსეთიდან გამოქცეულ თავად ა. *კურბსკის*. 1795-იდან კ. ვოლინის გუბ. სამაზრო ქალაქია. რიგის ხელშეკრულებით 1921 გადაეცა ბურჟ. პოლონეთს. 1939 ოქტ-ში ქალაქი უკრ. სსრ შემადგენლობაში შევიდა. 1941 წ. 28 ივნისიდან 1944 წ. 7 ივლისამდე ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. კ-ში არის რკინიგზის ტრანსპ. მომსახურე საწარმოები. ხის დასამუშ. კომბინატი, ხორცის კომბინატი; რკინაბეტონის ნაკეთობათა, სელის, ყველის, სახამებლის, სას.-სამ. მანქანების, კომბინირებული საკვების ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა. სამედ. სასწავლებელი.

„კოვენანტი" (ინგლ. covenant — შეთანხმება, ხელშეკრულება), შოტლანდიაში რეფორმაციის მომხრეთა შორის დადებული კავშირები ან შეთანხმებანი. იქმნებოდა XVI—XVII სს-ში კალვინისტური ეკლესიისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. პირველი „კ." დაიდო 1557; 1581 „კ-მა" კალვინისტური ეკლესია შოტლ. სახელმწ. ეკლესიად აღიარა. 1638 შოტლანდიელმა პრესვიტერიანებმა ხელი მოაწერეს ეროვნ. „კ-ს", რაც სტიუარტების აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისს მოასწავებდა. ინგლ. XVII ს. ბურჟ. რევოლუციის დროს ინგლ. პარლამენტმა შოტ. პრესვიტერიანებთან დადო კავშირი, რაც ინგლისში პრესვიტერიანობის შემოღებასა და როიალისტებთან ერთობლივ ბრძოლას ითვალისწინებდა.

კოვენტრი (Coventry), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ინგლისში, უორიქშირის საგრაფოში. 337 ათ. მცხ. (1976). სატრანსპ. კვანძი. ქვეყნის მნიშვნელოვანი მანქანათსაშ. ცენტრი. ავტო-, ავია- და ჩარხთმშენებლობა, ელექტროტექ. მრეწველობა. ხელოვნური ბოჭკოს წარმოება.

II მსოფლიო ომის დროს დანგრეული ქალაქის აღდგენა 1946-იდან დაიწყო. XIV ს. ტაძრის ნანგრევები დაცულია როგორც ფაშისტთა ბარბაროსობის ძეგლი. კ-ის აღდგენა-რეკონსტრუქციის დროს (არქიტ. დ. გიბსონი, ა. ლინგი) გამოიყო სამრეწვ. და საცხოვრ. ზონები. შეიქმნა საცხოვრ. რ-ნების სისტემა, სხვადასხვა სიმაღლის მრავალბინიანი სახლებით განაშენიანებული მიკრორაიონები, მწვანე ზონა, გაიყვანეს წრიული მაგისტრალები, მოეწყო სავაჭრო ცენტრი, აშენდა საზ. შენობები.

კოვერკოტი (ინგლ. covertcoat), მჭიდრო შალის ან ნახევრად შალის ქსოვილი, რ-იც მიიღება სარჟის ან შარტიკი დიაგონალის ხლართებით. კ-თვის იყენებენ ერთი ფერის მისაქსელს და ორი სხვადასხვა ფერის ძაფისაგან შეგრეხილ ქსელს. ქსლის ყოველი ძაფი შეიძლება შედგებოდეს ორი შალის ძაფის ან ერთი შალისა და ერთი ბამბის ძაფისაგან. კ-ის ზედაპირზე წარმოიქმნება დამახასიათებელი ჭრელი ნახატი. მისგან კერავენ კოსტიუმებს, ლაბადებს. ქსოვენ აგრეთვე ბამბის კ-ს (შალის კ-ის იმიტაცია), რ-ისგანაც ძირითადად ლაბადებს კერავენ.

კოვნო, ლიტვ. სსრ ქ. *კაუნასის* ძველი სახელწოდება.

კოვპაკი სიდორ არტემის ძე [26. V (7. VI). 1887, სოფ. კოტელევა, ახლანდ. პოლტავის ოლქი, — 11. XII. 1967, კიევი], საბჭ. სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. პარტიზ. მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (1942, 1944), გენ.-მაიორი (1943). სკკპ წევრი 1919-იდან. სამოქალაქო ომის მონაწილე (1918—20); 1921—26 იყო სამხ. კომისარი ეკატერინოსლავის გუბ. ქ-ებში. 1937—41 სუმის ოლქის პუტილოვის საქალაქო აღმასკომის თავ-რე, დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს — პუტილოვის პარტიზ. რაზმის, შემდეგ სუმის ოლქის პარტიზ. შენაერთის მეთაური. უკრ. კპ (ბ) არალეგალური ცკ-ის წევრი. 1944 იანვ. სუმის შენაერთს კ-ის სახ. 1-ლი პარტიზ. დივიზია ეწოდა. კ-ის პარტიზ. შენაერთში ბევრი ქართველი იბრძოდა, მ. შ. საბჭ. კავშირის გმირი დ. *ბაქრაძე*. 1947-იდან კ. იყო უკრ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე, 1967 აპრილიდან კი უკრ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. სსრკ II—VII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, წითელი დროშის, სუვოროვის I ხარისხის, ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის, ჩეხ. და პოლ. ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Из дневника партизанских походов, М., 1964.

ლიტ.: ბაქრაძე დ., გმირთა სისხლით, წგნ. 2, თბ., 1956.

კოვროვი, ქალაქი რსფსრ ვლადიმირის ოლქში, ნავმისადგომი მდ. კლიაზმის (ოკის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო ხაზების კვანძი. 143 ათ. მცხ. (1979). თუჯსასხმელი, ექსკავატორების, ვ. დეგტიარიოვის სახ. (მოტოციკლები), მექან. ქ-ნები, საფეიქრო და სამკერვალო ფ-კები, ხორცკომბინატი, წისქვილ-ქ-ნა. ვლადიმირის პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, ენერგომექან. და მექან. ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კ. დაარსდა სოფ. ელიფანოვკის (XII ს.) ადგილზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1978).

კოზაკი სიმონ ანტონის ძე [10 (23). V. 1902, სოფ. ისკოროსტი, ახლანდ. ქ. კოროსტენი, ჟიტომირის ოლქი, — 24. XII. 1953, იუჟნო-სახალინსკი], საბჭ. მხედართუფროსი, გენ.-ლეიტენანტი (1945). ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (26. X. 1943 და 28. IV. 1945). სკკპ წევრი 1923-იდან. 1924-იდან იყო წითელ არმიაში. დაამთავრა საარტ. სკოლა (1928) და ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1938). დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს, 1942-იდან, იყო 64-ე (მე-7 გვარდიის) არმიის შტაბის უფროსის მოადგილე, მეთაურობდა 73-ე გვარდიის მსროლელ დივიზიასა და 21-ე გვარდიის მსროლელ კორპუსს. იბრძოდა სტალინგრადთან, კურსკთან, უკრაინაში, რუმინ., ბულგ. და უნგრ. განთავისუფლებისათვის; ვენის ოპერაციის მონაწილე (1945). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 7 სხვა საბრძოლო ორდენითა და მედლებით.

კოზაკოვი მიხეილ ემანუილის ძე [11 (23). VIII. 1897; სადგური რომოდანი, ახლანდ. მირგოროდის რ-ნი, პოლტავის ოლქი, — 16. XII. 1954, მოსკოვი], რუსი საბჭ. მწერალი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1922-იდან. მოთხრობათა პირველი კრებ. „თუთიყუშის ბედნიერება" 1924 გამოსცა. მისი მოთხრობები „მეშჩანი ადამეიკო" (1927), „ერთნახევარი ხაზი" (1927) და სხვ. ამათრახებს მეშჩანობას. წერდა პიესებს („ჩეკისტები", 1939; „შმაგი ბესარონი", 1948). კ-ის მთავარი ნაწარმოებია ისტ.-ყოფითი რომანი „9 წერტილი" (წგნ. 1—4, 1929—37, გადამუშავებული გამოც. 1956, სახელწოდებით „იმპერიის მსხვრევა").

კოზენზი, კაზენზი (Cozzens) ჯეიმზ გულდ (დ. 19. VIII. 1903, ჩიკაგო), ამერიკელი მწერალი. კრიტიკოსები ხშირად ნეოკლასიკოსად მიიჩნევენ. მისი მნიშვნელოვანი რომანების [„შეშფოთება" (1924),

„მაიკლ სკარლეტი“ (1925), „უკანასკნელი ადამი“ (1933), „ხვალ მკითხე“ (1940), „სამართლიანნი და უსამართლონი“ (1942), „საპატიო ყარაული“ (1948), „სიყვარულით შეპყრობილი“ (1968) და სხვ.] ძირითადი მოტივია კონფლიქტი გონებასა და გრძნობას შორის; რაციონალისტი მწერალი უპირატესობას ანიჭებს გონებას, ლოგიკას. მის ნაწარმოებებში იდეები უფრო შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი, ვიდრე თვით გმირები. თვალსაჩინოა მწერლის პესიმისტური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. პულიცერის პრემია.

კოზენცა (Cosenza), ქალაქი სამხრ. იტალიაში, კრატის ხეობაში, სილის მთების ძირას, კალაბრიაში. კოზენცის პროვ. ადმ. ცენტრი. 102,4 ათ. მკხ. (1976). ხის დასამუშ., კვების, ლითონდასამუშ., სამკერვალო, ქაღალდის, კერამ. მრეწველობა. არქიტ. ძეგლები.

კოზი, სამხრ. ოსეთის ათ ჯაჭის რ-ნის სოფლების *ზემო კოზის, ქვემო კოზისა* და *შუა კოზის* ძვ. სახელწოდება.

კოზინი სერგეი ანდრიას ძე [7 (19). X. 1879, ტუაფსე, ახლანდ. კრასნოდარის მხარე, — 16. X. 1956, ლენინგრადი], საბჭ. მონღოლთმცოდნე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943-იდან). 1903 დაამთავრა პეტერბ. უნ-ტი. 20-იან წლებში მონაწილეობდა ლენინგრ. აღმოსავლური ინ-ტის დაარსებაში. 1929-იდან ამ ინ-ტსა და ლენინგრ. უნ-ტში ასწავლიდა მონღ. ენას. ავტორია შრომებისა: „საიდუმლო თქმულება. მონღ. ქრონიკა 1240 წლისა“ (1941); მონღ ეპოსის „გესერიადის“ (1935) და ყალმუხური ეპოსის „ჯანგარიადის“ (1940) თარგმანი და კომენტარები; „მონღოლური ხალხების ეპოსი“ (1948) და სხვ.

თხზ.: К вопросу о дешифровании дипломатических документов монгольских ильханов, «Известия АН СССР. Отд. общественных наук», 1935, № 7.

კოზინცევი გრიგოლ მიხეილის ძე [9 (22). III. 1905, კიევი, — 11. 5. 1973, ლენინგრადი], საბჭ. კინორეჟისორი. სსრკ სახ. არტისტი (1964). 1919—22 სწავლობდა პეტროგრ. სამხატვრო აკადემიაში. 1921 ლ. ტრაუბერგთან და ს. იუტკევიჩთან ერთად ჩამოაყალიბა კინოჯგუფი „ექსცენტრიკული მსახიობის ფაბრიკა“. 1946-მდე მუშაობდა ლ. ტრაუბერგთან ერთად. ამ პერიოდის ფილმებს ახასიათებს ახალი, მძაფრი კინემატოგრაფიული გამომსახველობითი საშუალებების ძიება (ახალი बाბილონი“, 1929). საბჭ. კინოს მნიშვნელოვან ნაწარმოებად არის აღიარებული „ტრილოგია მაქსიმზე“ (სსრკ სახელმწ. პრემია, 1941), რ-შიც შევიდა: „მაქსიმის სიყმაწვილე“ (1935), „მაქსიმის დაბრუნება“ (1937) და „ვიბორგის მხარე“ (1939). ტრილოგიაში შეიქმნა რევ. ეპოქის რუსი მუშა-ბოლშევიკის დამაჯერებელი მხატვრული სახე. ომის შემდგომ წლებში კ-მა გადაიღო ისტ.-ბიოგრ. ფილმები: „პიროგოვი“ (1947, სსრკ სახელმწიფო პრემია, 1948), „ბელინსკი“ (1951). შექმნა „დონ კიხოტის“ (1957), „ჰამლეტის“ (1964, ლენინური პრემია, 1965), „მეფე ლირის“ (1971) ეკრანიზაციები. 1922-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით. აგრეთვე სხვა ორდენებითა და მედლებით.

თხზ.: Глубокий экран, М., 1971.

ლიტ.: Недоброво В., ФЭКС. Г. Козинцев, Л. Трауберг, М.—Л., 1928.

კოზლოვი ივანე ანდრიას ძე [24. VI (5. VII). 1888, სოფ. სანდირი, კოლომნის მაზრა, ახლანდ. კოლომნა, მოსკ. ოლქი, — 26. III. 1957, მოსკოვი], საბჭ. პარტიული მოღვაწე, მწერალი. კომპარტიის წევრი 1905-იდან. 1905—07 რევ. მონაწილე. 2-ჯერ იყო დაპატიმრებული (1908—09); 1909 მიუსაჯეს 4 წლის კატორღა და მუდმივი გადასახლება ციმბირში. 1913 გაიქცა გადასახლებიდან საზღვარგარეთ. 1917 დაბრუნდა რუსეთში. სამოქალაქო ომის პერიოდში, 1918—20 ეწეოდა არალეგალურ პარტ. მუშაობას სევასტოპოლსა და ხარკოვში. 1923—25 სწავლობდა ვ. ბრიუსოვის სახ. ლიტ. ინ-ტში. შემდეგ კვლავ პარტ. სამუშაოზე იყო. დიდი სამამულო ომის დროს, 1941—45. იყო პარტ. იატაკქვეშეთისა და პარტიზ. მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყირიმში, პარტიის სიმფეროპოლის არალეგალური საქალაქო კომიტეტის მდივანი.

კ-ის პირველი ლიტ. ნაწარმოებები გამოქვეყნდა 20-იან წლებში. ომის შემდეგ, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა (დაბრმავდა), ეწეოდა ლიტ. მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს მემუარულ-ბელეტრისტული ხასიათის წიგნები პარტ. იატაკქვეშეთისა და პარტიზ. მოძრაობაზე. სსრკ სახელმწ. პრემია (1948). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

თხზ.: В крымском подполье, М., 1960; Жизнь в борьбе, кн. 1, М., 1965.

კოზლოვი ივანე ივანეს ძე [11 (22). IV. 1779, მოსკოვი, — 30. I (11. II). 1840, პეტერბურგი], რუსი პოეტი, მთარგმნელი. მის ლექსებსა და პოემებში ჭარბად იგრძნობა სანტიმენტალურ-რომანტ. სტილის გავლენა. პოპულარობა მოიპოვა კ-ის პოემებმა „ბერი“ (1825) და „შეშლილი“. უკანასკნელი თარგმნა და ჟურნ. „ცისკარში“ გამოაქვეყნა რ. ერისთავმა. ი. ჭავჭავაძემ იმავე ჟურნალში (1861, № 4) მკაცრად გააკრიტიკა პოემაც და თარგმანიც, ამასთან მაღალი შეფასება მისცა კ-ის მიერ გადმოკეთებულ ლექსს „მწუხრის ზარი“.

ლიტ.: ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრ. ათ ტომ.ად, ტ. 3, თბ., 1953. *ვ. შადური.*

კოზლოვი პეტრე კუზმას ძე [3 (15). X. 1863, დუხოვშჩინა, ახლანდ. სმოლენსკის ოლქი, — 26. IX. 1935, პეტერგოფი, ახლანდ. ქ. პეტროდვორეცი], ცენტრალური აზიის საბჭ. მკვლევარი, უკრ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1928). დაიბადა მეჯოგის ოჯახში. 1887 დაამთავრა სამხ. სასწავლებელი. მონაწილეობდა ნ. *პრჟევალსკის,* მ. *პეტროვის,* ვ. *რობოროვსკის* ექსპედიციებში. 1899—1901 ხელმძღვანელობდა მონღოლეთ-ტიბეტის ექსპედიციას, რ-ის დროსაც შეაგროვა მნიშვნელოვანი მასალა ტიბეტის მთიანეთის ბუნებისა და აღმ. ტიბეტის ნაკლებად ცნობილი ტომების შესახებ. ამ ექსპედიციის შედეგები კ-მა აღწერა წიგნში „მონღოლეთი და კამი“ (1905—06). 1907—09 კ. ხელმძღვანელობდა მონღოლეთ-სიჩუანის ექსპედიციას, რ-მაც ბობის უდაბნოში აღმოაჩინა ძვ. ქალაქის ხარა-ხოტოს ნანგრევები. ექსპედიციამ შეაგროვა მნიშვნელოვანი ეთნოგრ., ზოოლ. და ბოტან. მასალა. ექსპედიციის შედეგები კ-მა აღწერა წიგნში „მონღოლეთი და ამდო და მკვდარი ქალაქი ხარა-ხოტო“ (1923). 1923—26 კ-მა ჩაატარა მონღოლეთ-ტიბეტის ექსპედიცია, რ-ის დროსაც აღმოაჩინა და გამოიკვლია გორასამარხი, შემდეგ გამოაქვეყნა მოგზაურობის დღიური „მოგზაურობა მონღოლეთში. 1923—1926 წწ.“ კ. იყო რუს. და უცხოთის ბევრი გეოგრ. საზ-ბის საპატიო წევრი, დაჯილდოებული იყო ამ საზ-ბათა მედლებით. კ-ის სახელი ეწოდა მყინვარს თაბინ-ბოგდო-ოლის ქედზე.

კოზლოვსკი ივანე სიმონის ძე [დ. 11 (24). III. 1900, მარიანოვკა, ბელაია-ცერკოვის მახლობლად, კიევის ოლქი], რუსი საბჭ. მომღერალი (ლირიკული ტენორი). სოციალ. შრომის გმირი (1980). სსრკ სახ. არტისტი (1940). 1917—19 სწავლობდა კიევის მუს.-დრამ. ინ-ტში (ე. მურავიოვას კლასი). 1919—24 იყო წითელ არმიაში, მუშაობდა პოლტავის მოძრავ მუს.-დრამ. თეატრში, სადაც შეასრულა ოავისი პირველი მნიშვნელოვანი პარტია—ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი“). 1924-იდან ხარკოვის, 1925-იდან სვერდლოვსკის საოპერო თეატრების, 1926—54 სსრკ დიდი თეატრის სოლისტი. კ. საბჭ. ვოკალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ლამაზი ტემბრის ხმა, მაღალი მხატვრული გემოვნება და დრამ. ნიჭი საშუალებას აძლევდა შეესრულებინა ვოკალურ-სცენური სახეები: სალოსი (მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“. სსრკ სახ. პრემია, 1949), ლენსკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი“), დუბროვსკი (ნაპრავნიკის „დუბროვსკი“), ალფრედი (ვერდის „ტრავიატა“) და სხვ.

კ. ოპერის საკონცერტო ანსამბლის ორგანიზატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო (1938—41). ამ პერიოდში დადგა ოპერები „ვერთერი“, „ჯამბაზები“ და სხვ., რ-ებშიც მთავარი პარტიებიც შეასრულა. აღსანიშნავია კ-ს საკონცერტო მოღვაწეობა (გამოდის 1919-იდან. რუსი და დას. ევროპელი კომპოზიტორების რომანსების შესანიშნავი შემსრულებელია). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

გ. კოზინცევი.

კოზლოვსკი მიხეილ ივანეს ძე [26. X (6. XI). 1753, პეტერბურგი, — 18 (30). IX. 1802, იქვე], რუსი მოქანდაკე. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1764—73) ნ. ჟილესა და ა. ლოსენკოს ხელმძღვანელობით. იყო სამხატვრო აკად. პენსიონერი რომსა (1774—79) და პარიზში (1779—80). 1794-იდან პეტერბ. სამხატვრო აკად. აკადემიკოსი და პროფესორი. კ. რუს. კლასიციზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება გამსჭვალულია განმანათლებლობის იდეებით, ჰუმანიზმითა და მძაფრი ემოციურობით. თავდაპირველად კ-ს ნამუშევრებში იგრძნობოდა ბაროკოს სტილის გავლენა. შემდეგ წლებში კ-მ შექმნა პასტორალურ-იდილიური სტატუეტები („მძინარე ამური“, მარმარილო, 1792, რუს. მუზეუმი). გატაცებულა ეროვნ. ისტორიით, შექმნა წარსულის გმირთა სახეები („იაკობ დოლგორუკი ხევს მეფის ბრძანებულებას“, მარმარილო, 1797, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი); ალეგორიები, რ-შიც რუს. სამხ. ძლევამოსილებაა გამოხატული („სამსონი ხახას უპობს ლომს“ მოოქროვილი ბრინჯაო, 1800—02; დიდი სამამულო ომის დროს გაიტაცეს ფაშისტებმა, 1947 თავიდან შექმნა მოქანდაკე ვ. სიმონოვმა). კ-ს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ა. სუვოროვის ძეგლი (ბრინჯაო, 1799—1801, ახლანდ. სუვოროვის მოედანზე, ლენინგრადი). კ. ნახატის დიდი ოსტატი იყო.

პ. კოზლოვი.

ლიტ.: [Каганович А.], М. И. Козловский, М., 1959.

კოზმა პრაღელი (Cosmas Pragensis) (დაახლ. 1045 — 21. X. 1125, პრაღა), პირველი ჩეხი ქრონისტი. განათლება მიიღო პრაღასა და ლიეჟში. გერმ. იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს ახლდა უნგრეთში, გერმანიაში, იტალიაში. 1110-იდან პრაღის წმ. ვიტის ტაძრის დეკანი. კ. პ-ის „ჩეხიის ქრონიკაში“ (დაწყებულია 1119—20) თავმოყრილია მრავალფეროვანი მასალა. იგი ძვირფასი წყაროა [განსაკუთრებით III ტ., რ-იც მოიცავს კ. პ-ის დროინდელი (1092—1125) მოვლენების აღწერას] ჩეხიის ისტორიისათვის. „კ. პ-ის გამგრძელებლებმა“ ჩეხიის ისტორიის მატიანე XIII ს-მდე მიიყვანეს.

ი. კოზლოვსკი.

პუბლ.: Чешская хроника, М., 1962.

ლიტ.: Třeštik D., Kosmas, 2 vyd., Praha, 1972.

კოზმა პრუტკოვი, ა. ტოლსტოისა და ძმების ა. და ვ. ჟემჩუჟნიკოვების ლიტერატურული ფსევდონიმი. კ. პ. პოეტების ლიტ. მისტიფიკაცია იყო, აღიქმებოდა როგორც კონკრ. პიროვნება, ჩლუნგი ბიუროკრატი, რ-იც თავს პოეტად და მოაზროვნედ [ახავდა. კ. პ-ის ლექსებში გამათრახებულია რეაქციონერი და უნიჭო პოეტები, მლიქნელები და ობივატელები. XIX ს. 60-იან წლებში კ. პ-ის პაროდიები, იგავები, ეპიგრამები, კომედიები და სხვ. იბეჭდებოდა „სოვრემენნიკისა“ და „ისკ-



ზ. კოზლოვსკი. სკულპტურული პორტრეტი. მოქანდაკე ვ. დემუტ-მალინოვსკი. მარმარილო. 1802. რუსული მუზეუმი. ლენინგრადი.

ს. კოზონოვი.

კოთხუჯი (Acorus calamus). ფესურა ლეროს ქვედა ნაწილიანად. ფოთოლი და ყვავილი.

კოიოტი.

კოკაინის ხე. ყვავილებიანი ტოტი. ა-ყვავილი.



კოკანდი. ხუდოიარ-ხანის სასახლე (ახლა — მხარეთმცოდნეობის მუზეუმი). 1871.

რის" ფურცლებზე. ნ. დობროლიუბოვი ჰ. პ-ს თავის მოკავშირედ თვლიდა ანტიხალხ. ლიტ-რასთან ბრძოლაში.

კოზმოდემიანსკი, ქალაქი მარეთის ასსრ-ში, ნავმისადგომი ვოლგის მარჯვ. ნაპირზე, ჩებოქსარიდან 60 *კმ*. კარაქის, ლუდის, აგურის ქ-ნები, სამკერვალო ფ-კა და სხვ. დასაცურებელი რეიდი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სურათების გალერეით. სახ. თეატრი. ჰ. დაარსდა 1583, ქალაქია 1609-იდან.

კოზონოვი სარდიონ დავითის ძე (დ. 1. I. 1911, სოფ. სუქანაანთუბანი, ახლანდ. ქარელის რ-ნი). საბჭ. კავშირის გმირი (30. X. 1943). სერჟანტი. სკკპ წევრი 1944-იდან. დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა დას., ბრიანსკის და ცენტრ. ფრონტებზე. მონაწილეობდა ვარშავის, ბუდაპეშტისა და პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა მდ. დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისათვის. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

კოთელია, სოფელი ახალქალაქის რ-ნში (ბარალეთის სოფსაბჭო), ახალქალაქის ვაკეზე, ბაკურიან—ახალქალაქის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1680 *მ*, ახალქალაქიდან 15 *კმ*. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მესაქონლეობა). საშ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფერშლო პუნქტი. შემორჩენილია ეკლესია XVI ს. წარწერით (მოსხენიებულია აღმშენებელი ქიშვად ავალიშვილი) და გალავანშემოვლებული ქვაჯვარა.

კოთურნები (ლათ. cothurni, ბერძნ. kothornoi). ფეხსაცმლის სახეობა ანტიკურ თეატრში, იყენებდნენ ტრაგედიის მსახიობები. კ-ს ჰქონდა ძალზე მაღალი ძირი, რაც მსახიობის ფიგურას სიმაღლეს მატებდა და მის მოძრაობას სადღესასწაულო იერს აძლევდა. შემდგომში „კ-ს" ცრუ ხელოვნების აღმნიშვნელ სიტყვად ხმარობდნენ.

კოთხო, აბრეშუმის და მარცვლეულის საწყაო ხის ჭურჭელი XVIII—XIX სს. გურიისა და სამეგრელოში. აბრეშუმის კ. დაახლ. 666 *გ* უდრიდა. მარცვლეულის საწყაო კ.—დაახლ. 4 *კგ*. *გ. ჯაფარიძე.*

კოთხუჯი, კ ო თ ხ ო ჯ ი (Acorus), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ნიუკასებრთა ოჯახისა. ცნობილია 2 სახეობა. A. calamus გავრცელებულია აზიაში, ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. სსრკ-ში — ევრ. ნაწილში, ყაზახეთში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში იზრდება. კარგად ხარობს მდინარისა და ტბის სანაპიროებზე, ზოგჯერ შალდამებს ქმნის. გვხვდება დას. საქართველოს (სამეგრელო, გურია, აჭარა) ლაქაშიანებსა და ლელიანებში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს. ფესურიდან (კ-ის ფესვი) ხდიან ეთეროვან ზეთს, რ-საც პარფიუმერიასა და საკონდიტრო წარმოებაში იყენებენ. ფესურიდან მიღებული პრეპარატები იხმარება მადის აღმძვრელ და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებელ საშუალებად. A. gramineus ძირითადად აღმ. აზიაშია გავრცელებული.

კოიდულა ლიდია (ნამდვ. სახელი და გვარი ლიდია ემილიე ფლორენტინე ი ა ნ ზ ე ნ ი) [12 (24). XII. 1843, ვიანდრა, ახლ ანდ. პიარნუს რ-ნი, — 30. VII (11. VIII). 1886, კრონშტადტი]. ეტონელი პოეტი, დრამატურგი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1863-იდან. ავტორია ლექსთა კრებულებისა „მინდვრის ყვავილები" (1866), „ემაეგის ბულბული" (1867). კ-ს პოეზია ალვივებდა ეროვნ. თვითშეგნებას, მომავლის რწმენას. მისი ლექსები პოპულარულ სიმღერებად იქცა. კ-მ საფუძველი ჩაუყარა ეროვნ. დრამატურგიას (პიესები „საარემაელი ბიძაშვილი", 1870 და სხვ.).

კოიმბატური, კ ო ი ა მ ბ ა ტ ო რ ი, ქალაქი ინდოეთში, ტამილნადის შტატში, კონგუნდის პლატოზე. 353,5 ათ. მცხ. (1971). საფეიქრო მრეწვ. დიდი ცენტრი. საფეიქრო მანქანათმშ., ელექტროძრავათმშენებლობა, კვების, ქიმ., ცემენტის მრეწველობა. კინომრეწველობა. ჰეხი. კ-ში არის ინდოეთში ერთ-ერთი უდიდესი სასასამ. კოლეჯი.

კოინდარი, მარცვლოვანი საკვები ბალახი. განეკუთვნება ორ გვარს — Arrhenatherum-სა (მაღალი კ.) და Lolium-ს (საძოვრის კ., მრავალსათიბი კ.). მ ა ღ ა ლ ი კ. (A. elatius) მრავალწლოვანი ფაშარბუჩქოვანი მცენარეა, სწრაფად იზრდება, გავრცელებულია ყველგან. კ-ის თივა ცხოველთა კარგი საკვებია. მომწარო გემოს გამო კ-ის მწვანე მასას ცხოველი მხოლოდ სხვა მარცვლოვან და პარკოსან ბალახთან ერთად ჭამს. ს ა ძ ო ვ რ ი ს კ. (L. perenne) მრავალწლოვანი ბალახია. შედარებით ნაკლებად უძლებს გვალვასა და ყინვას. გაძოვებისა და გათიბვის შემდეგ ინტენსიურად იზრდება. მ რ ა ვ ა ლ ს ა თ ი ბ ი კ. (L. multiflorum) ერთ- ან ორწლოვანი მცენარეა. სსრკ-ში იზრდება მისი ერთწლოვანი სახესხვაობა — ვესტერვოლდის კ. საქართველოში ითესება მინდვრისა და საკვებ თესლბრუნვებში, როგორც ბალახთნარევების ერთ-ერთი საუკეთესო კომპონენტი. *გ. ბადრიშვილი.*

კოინე (ბერძნ. koinē dialektos — საერთო ენა), 1. საერთო ბერძნული სალიტერატურო ენა, რ-იც წარმოიშვა ძვ. წ. IV ს-ში ატიკური დიალექტის საფუძველზე. შემდგომში კ-მ შთანთქა სხვა დიალექტები და ბერძენთა საერთო ენად იქცა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიშალა და სათავე მისცა ახ. ბერძნულ დიალექტებს. 2. საერთო ენა, რ-საც სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენლები ხმარობენ ურთიერთგაგებინებისათვის. კ., ჩვეულებრივ, ემყარება ერთ-ერთ დიალექტს. კავკასიაში კ-ს ნიმუშია დაღ. ლეკებში გავრცელებული *ბოლ მაწი*, რ-საც სალიტ. ენის ჩამოყალიბებამდე კარგა ხნით ადრე იყენებდნენ ურთიერთობისათვის ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულ დიალექტებზე მოლაპარაკე ხუნძები.

კოიოტი (Canis latrans), მტაცებელი ძუძუმწოვარი *ძაღლისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 90 *სმ* აღწევს, მასა 13 *კგ*. აქვთ დაცქვეტილი ყურები, გრძელი, ხშირბალნიანი, ქვემოთ დაშვებული კუდი, მონაცრისფრო ან მურა-წითელი ზურგი, ღია ფერის მუცელი. გავრცელებულია ჩრდ. ამერ. დას. ნაწილში — კანადიდან მექსიკამდე. ბინადრობს გაშლილ ადგილებზე. იკვებება კურდღლებით, წვრილი მღრღნელებით, ლეშით, აგრეთვე ფრინველებით, ხვლიკებით, მწერებით, მცენარეთა ნაყოფით. მონოგამია, მაკეობა 60—65 დღე გრძელდება. შობს 5—10 ლეკვს. ცოცხლობს 13 წლამდე.

კოკა, სითხის საწყაო საქართველოში X ს-იდან. მისი ტევადობა სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა იყო. XIII ს. შუა ხანიდან გვხვდება 24-ლიტრიანი კ., ხოლო XVI—XVIII სს-ში 8—16-ლიტრიანიც. ლიტრის ზრდის გამო საუკუნეთა მანძილზე კ-ის ტევადობაც იზრდებოდა. XIII ს-ში 24-ლიტრიანი კ. 23 ლ იტევდა, XVI—XVII სს. დას. საქართველოში კი — 50 ლ და მას მ რ თ ე ლ ი ც ეწოდებოდა. XVIII ს. აღმ. საქართველოში 10-ლიტრიანი კ. „სწორ" (კანონიკურ) კ-დ ითვლებოდა (ტევადობა — 4 ჩაფი ან 30—34 ლ). დას. საქართველოში „სწორე" კ. 12-ლიტრიანი იყო (ტევადობა 36—37 ლ). 12-ლიტრიანი კ-ის ნახევარს მ ე ნ ა ხ ე ვ რ ე ერქვა. XIX ს. 30-იანი წწ. აღმ. საქართველოში კ. 12 თუნგით განისაზღვრებოდა. *გ. ჯაფარიძე.*

კოკა, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (ორპირის სოფსაბჭო), მდ. წყალწითელის ხეობაში. ზ. დ. 400 *მ*, ტყიბულიდან 26 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. ორპირის კოლ-ბა (მეჩაიეობა). საშ. სკოლა ორპირში. ბ-კა. კ-ში არის სამშენებლო ქვის (ტეშენიტი) საბადო და გოგირდოვანი მინერ. წყარო.

კოკათი, სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (ჩოჩხათის სოფსაბჭო), გურიის სერის სამხრ.-დას. ნაწილში. ზ. დ. 160 *მ*, ლანჩხუთიდან 32 *კმ*, სუფსიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. ჩოჩხათის კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. ჩოჩხათში (4 *კმ*). ბ-კა, საფერშლო პუნქტი.

კოკაინი, ალკალოიდი, რ-იც მიიღება კოკაინის ხის (Erytroxilon coca) ფოთლებისაგან; განეკუთვნება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებათა ჯგუფს. ოფთალმოლოგიაში, ოტოლარინგოლოგიაში, უროლოგიასა და სტომატოლოგიაში ზედაპირული გაუტკივარებისათვის იყენებენ კ-ის ფხვნილებსა და ხსნარს. კ. ძლიერ ტოქსიკურია, ნერვულ სისტემას ჯერ აღაგზნებს. შემდეგ კი თრგუნავს. მისი ხშირი ხმარებისას შეიძლება განვითარდეს კოკაინიზმი (იხ. *ნარკომანია*).

კოკაინის ხე, კ ო კ ა (Erythroxylon coca). ტროპიკული მცენარე ერითროქსილონისებრთა ოჯახისა. 1—3, ზოგჯერ 5 *მ*-მდე სიმაღლის ბუჩქია. აქვს ფართოელიფსური ან უკუკვერცხისებრი ფოთოლი, წვრილი მოყვითალო-თეთრი ყვავილები. სამშობლოდ პერუ და ბოლივია ითვლება. ველურად თითქმის აღარ გვხვდება; კულტივირებულია სამხრ. ამერ., აფრიკისა და აზიის ტროპიკებში. ფოთლები შეიცავს კოკაინს (1,3%-მდე) და სხვ. ალკალოიდებს. ერთი ბუჩქიდან წლის მანძილზე 5 *კგ*-მდე მშრალი ფოთლის მიღება შეიძლება.

კოკანდი, ქალაქი უზბ. სსრ ფერღანის ოლქში, ფერღანის ხეობის დას. ნაწილში, მდ. სოხის ქვემო დინებაში. საავტ. და სარკინიგზო გზების კვანძი. 153 ათ. მცხ. (1979). პირველად წყაროებში X ს-ში იხსენიება. XIII ს-ში მონღოლებმა დაანგრიეს. 1732 ციხესიმაგრე ესქი-ყორღანის ადგილზე დაარსდა ქალაქი, რ-საც 1740 „კ." უწოდეს. ამ წლიდან იგი *კოკანდის სახანოს* ცენტრი გახდა. 1875 დაიკავა რუს. ჯარმა. 1876 შეუერთდა რუსეთის იმპერიას. 1903—05 აქ შეიქმნა ს.-დ. ორგანიზაცია. 1917 და 1918 წწ. მიჯნაზე იყო კონტრრევ. მოძრაობის ცენტრი (იხ. *„კოკანდის ავტონომია"*). კ-ში საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1918 წ. 20 თებ.

ახლანდ. კ. ოლქის მეორე (ფერღანის შემდეგ) სამრეწვ., სატრანსპ. და კულტ. ცენტრია. მრეწვ. მთავარი დარგებია მსუბუქი და კვების მრეწველობა. ორიენ დარგი იძლევა კ-ის მთლიანი სამრეწვ. პროდუქციის 80%-ზე მეტს. ვითარდება ქიმ., ლითონდასამუშ., ელექტროტექ. მრეწველობა.

ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემორჩენილია: მეფრესეი მირი (XVIII ს. დასასრ.), ხანის საძვალეთა ანსამბლი დაპმაი შოპონი (1825), ხუდოიარ-ხანის სასახლე (1871), რ-ის ფასადი მოპირკეთებულია ყვითელი და მწვანე მოჭიქული ფილებით, ხოლო შიგნით შემკულია ხეზე კვეთილობით და მხატვრობით (ოსტატები მა-რასული, მასოლეპი და ჰაქიმბაი) — ახლა მხარეთმცოდნეობის მუზეუმია.

კ-ში არის პედ. ინ-ტი, ფერღანის პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, 7 საშ. სპეც. სასწავლებელი. დრამ. თეატრი.

„კოკანდის ავტონომია“, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობა თურქესტანში, რ-იც გამოცხადდა მუსლიმანთა IV საგანგებო სამხარეო ყრილობაზე 1917 წ. 26—29 ნოემბ. (9—12 დეკ.) ქ კოკანდში. „კ. ა.“ მიზნად ისახავდა თურქესტანში საბჭ. ხელისუფლების ლიკვიდაციასა და *კოკანდის სახანოს* აღდგენას. „კ. ა-ს“ აქტიურად უჭერდნენ მხარს უცხოეთის იმპერიალისტები. „კ. ა-მ“ დაამყარა კავშირი ბუხარის ემირთან, ატამან ა. დუტოვთან და სხვ. ნაციონალისტებმა შექმნეს შეიარაღებული რაზმები ირგიზის სარდლობით და 1918 იანვრის ბოლოს დაიწყეს ბრძოლა თურქესტანის საბჭ. მთავრობის წინააღმდეგ. 1918 წ. 6—9 (19—22) თებ. წითელმა გვარდიამ გაანადგურა ირგიზის რაზმები.

კოკანდის სახანო, ფეოდალური სახელმწიფო XVIII—XIX სს-ში, შუა აზიაში ფერღანის ველზე. ცენტრი — ქ. კოკანდი. კოკანდის ხანები წარმოშობით უზბეკურ ტომს — მინგს განეკუთვნებოდნენ. დინასტიის დამფუძნებელი იყო შაჰრუხბია. კ. ს-მ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია XIX ს-ში, როცა შეიერთა ტაშკენტი, ხოჯენდი და სხვ. ქ-ები.

XIX ს. შუა წლებში ცარიზმმა დაიწყო შუა აზიის დაპყრობა. 1865 რუს. ჯარმა აიღო ტაშკენტი, 1866 — ხოჯენდი. 1876 წ. 19 თებ. კ. ს. გაუქმდა და მის ნაცვლად შეიქმნა ფერღანის ოლქი, რ-იც შევიდა რუს. იმპერიის თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროში.

კოკები (ბერძნ. kokkos — მარცვალი), უძრავი, სფერული ბაქტერიები, რ-თა დიამეტრია 1—2 *მკმ*. სპორებს არ წარმოქმნიან: მრავლდებიან განივი გაყოფით. გრამდადებითებია. კ-ს ეკუთვნიან მიკროკოკები, სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები, სარცინები და სხვ. მკვრივ საკვებ არეებზე კ. ქმნიან მრგვალ, ამობურცულ, გლუვ კოლონიებს, ფერად რუხს, თეთრს, ყვითელს, ან წითელს. ფართოდ არიან გავრცელებული ნიადაგში, ჰაერში, საკვებ პროდუქტებში და ა. შ. რძემჟავურ სტრეპტოკოკებს იყენებენ არაყანის, კარაქის, მაწვნის წარმოებაში. პათოგენური სტრეპტოკოკები და სტაფილოკოკები იწვევენ ანთებით პროცესებსა და ჩირქოვან დაავადებებს (*ფურუნკულოზს, წითელ ქარს, ანგინას*). იხ. აგრეთვე სტ. *ბაქტერიები*.

კოკელაძე გრიგოლ ირაკლის ძე (დ. 2. V. 1904, სოფ. პატრკეთი, ახლანდ. წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტ.), ქართველი საბჭ. კომპოზიტორი და პედაგოგი. საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). სკკპ წევრი 1939-იდან. 1931 დაამთავრა თბილ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი, 1937 — თბილ. კონსერვატორია (პროფ. ვ. შერბაჩოვისა და ი. ტუსკიას კომპოზიციო კლასები). მუს.-პედ. მოღვაწეობა დაიწყო 1928. 1937—41 იყო ხალხ. შემოქმედების რესპ. სახლის დირექტორი. 1941—48 საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის, 1954—55 საქართვ. ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, 1950—52 საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, დაწერილი აქვს კანტატები, სიმღერები, საგუნდო საფორტეპიანო და სხვ. მუს. ნაწარმოებები. კ-მ შეკრიბა ჩაწერა და ნოტებზე გადაიტანა 2000-მდე ქართ. ხალხ. სიმღერა. 1979 მუს. ფონდმა გამოსცა კ-ის მიერ ჩაწერილი 50 ქართ. ხალხ. სიმღერა. ავტორია გამოკვლევისა „ქართული ცეკვების ხალხურობა და მათი მუსიკალური თანხლება“ (1977). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

კოკი (Kock) პოლ შარლ დე (21. V. 1793, პასი, პარიზთან ახლოს, — 29. VIII. 1871, რომენვილი, სენის დეპარტ.), ფრანგი მწერალი. ეკუთვნის 400-მდე ნაწარმოები — რომანები, ლექსები, სიმღერები და პიესები. პოპულარობა მოიპოვა რომანებით „ჟორჟეტი...“ (ტ. 1—4. 1820), „გუსტავი...“ (ტ. 1—3, 1821), „ჩემი მეზობელი რაიმონი“ (ტ. 1—4, 1823) და სხვ. პოპულარული იყო მისი მელოდრამებიც. კ-ს მსუბუქი, ბულვარული ლიტ-რის წარმომადგენლად მიიჩნევენ.

კოკი, სოფელი ზუგდიდის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ხურჩა). ზ. დ. 30 *მ*, ზუგდიდიდან 15 *კმ*. ნ. ბარათაშვილის სახ. კოლ-ბა (მესიმინდეობა, მეჩაიეობა). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში. კ-ში არის ყირიმის ომში (1853—56) დალუპულ ძმათა სასაფლაო „ნალიმა“ და ობელისკი.

კოკილი (ფრანგ. coquille, სიტყვასიტყვით — ნიჟარა, ნაჭუჭი), ლითონისაგან დამზადებული მუდმივი სამსხმელო ყალიბი, რ-ის გამოყენებით ფერადი შენადნობებისაგან, აგრეთვე თუჯისა და ფოლადისაგან ღებულობენ ფასონურ სხმულებს. კ-ს იყენებენ სხმულების სერიულ და მასობრივ წარმოებაში. იგი შეიძლება იყოს არაგასართი, ერთი ან რამდენიმე გასართით ვერტ. და ჰორიზ. სიბრტყეში და მართვის კომბინირებული სიბრტყით. კ-ში ჩამოსხმული დეტალის ზომის სიზუსტე 5—8 კლასის ფარგლებშია, *ზედაპირის სიმქისე* კი — სისუფთავის 4—6 კლასის ფარგლებში.

გ. კოკელაძე.

კოკიმბო (Coquimbo), ქალაქი და ნავსადგური ჩილეს ცენტრ. ნაწილში, კოკიმბოს დეპარტამენტში. 50 ათ. მცხ. (1970). რკინიგზის სადგური. გააქვთ რკინის მადანი. საფქვავი, ღვინის, ლუდის, ცემენტის მრეწველობა. თევზჭერა.

კოკინაკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე [დ. 12 (25). VI. 1904, ნოვოროსიისკი], სსრკ დამსახურებული გამომცდელი მფრინავი (1959), ავიაციის გენ.-მ. (1943). ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (17. VII. 1938 და 17. IX. 1957), სპორტის დამს. ოსტატი (1959). სკკპ წევრი 1938-იდან. წითელ არმიაშია 1925-იდან. დაამთავრა ბორისოგლებსკის საფრენოსნო სკოლა (1930). 1931—65 იყო გამომცდელი მფრინავი. 1935 წ. 21 ნოემბ. ერთადგილიანი თვითმფრინავით 14575 *მ* სიმაღლეზე ავიდა, 1936 წ 17 ივლ. კი 500 *კგ* ტვირთით— 11458 *მ* სიმაღლეზე და მსოფლიო რეკორდებს გადააჭარბა. 1936 მოახდინა ჩქაროსნული გადაფრენა: მოსკოვ—ეისკ—მოსკოვი; მოსკოვ—ბაქო—მოსკოვი; მოსკოვ—სვერდლოვსკ—მოსკოვი; მოსკოვ—სევასტოპოლ—სვერდლოვსკ—მოსკოვი. ძირსდაუშვებლად გადაფრინდა: 1938 წ. 27—28 ივნ. მარშრუტით მოსკოვ—ვლადივოსტოკი (24 *სთ* და 36 *წთ*); 1939 წ. 28 აპრ. — მოსკოვ — კ. მისკოუ (აშშ: 22 *სთ* 56 *წთ*). კ-მ დაამყარა 22 მსოფლიოს რეკორდი. ლენინური პრემიის ლაურეატი (1960). დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 10 სხვა ორდენითა და მედლებით.

კოკლე, კ უ ო კ ლ ე ლატვიური სიმებიანი საკრავი. ისეთივე აგებულებისაა, როგორც ლიტვ. კანკლესი, ესტ. კანელი, კარელ.-ფინური *კანტელე* და რუს. ფრთისმაგვარი *გუსლი*.

კოკომეჟავა (Rumex acetosella). მრავალწლოვანი ორსახლიანი ბალახოვანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროს ტყისა და ველის ზონაში. თითქმის მთელ საქართველოში გვხვდება სუბალპ. სარტყლამდე. უმთავრესად ნატყეევარ მდელოებზე, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში. სარველად იზრდება ნათესებსა და ბოსტნებში. არჩევს მჟავე ნიადაგს. ფოთლები შეიცავს მჟაუნმჟავა კალიუმს. ერთი მცენარე 1000-მდე თესლს იძლევა, რ-იც 40 წლამდე ინარჩუნებს აღმოცენების უნარს.

კოკონა (Bucephala), იხვების გვარი ბატისნაირთა რიგისა. სხვა იხვებისაგან გამოირჩევიან ნისკარტის აგებულებით, თანაც უკანა თითზე ფართო ლაპოტი აქვთ. გვარში 2 სახეობაა: ისლ. კ. (B. islandica), რ-იც გავრცელებულია მხოლოდ ჩრდ. ამერიკაში, გრენლანდიასა და ისლანდიაში და ჩვეულებრივი კ. (B. clangula), რ-იც გვხვდება ევრ., აზიისა და ამერ. ჩრდ. ნაწილებში. საქართვ. ფარგლებში მიმოფრენისას და ზამთარში გვხვდება ჩვეულებრივი კ. კ. ბინადრობს ტბებისა და ზღვების სანაპიროებზე, ხის ფულეროში. მაისში დებს 4—14 კვერცხს, იკვებება წყლის მწერებითა და მათი მატლებით. ზოგჯერ ლიფსიტებსაც ჭამს. კ. სანადირო ობიექტია. *მ. კუტუბიძე*.

კოკორი, მცენარის საყვავილე კვირტი, გაუშლელი ყვავილი. თავისი ზომით და ბლაგვი წვერით განსხვავდება იმავე მცენარის საფოთლე კვირტისაგან. კ-ში უკვე გამოსახულია ყვავილის ყველა ნაწილი. მისი განივი ჭრილის მიხედვით ადგენენ ყვავილის დიაგრამას, რ-იც სრულად ასახავს ყვავილის ნაწილების რაოდენობას და ურთიერთგანლაგებას.

კოკორინოვი ალექსანდრე ფილიპის ძე [29. VI (10. VII). 1726, ტობოლსკი, — 10 (21). III. 1772, პეტერბურგი], რუსი არქიტექტორი. 1740-იდან სწავლობდა ტობოლსკში, შემდეგ — დ. უხტომსკის არქიტ. სკოლაში მოსკოვში. 1754-იდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 1761-იდან იყო სამხატვრო აკად. დირექტორი, 1765-იდან — პროფესორი, 1769-იდან — რექტორი. კ-ის ადრინდ. ნამუშევრები ბაროკული ხასიათისაა (კ. რაზუმოვსკის სასახლე და კარმიდამო პეტროვსკოე-რაზუმოვსკოეში, მოსკოვში, 1752—53, გადაკეთებულია), მოგვიანებით გახდა ადრინდ. კლასიციზმის მიმდევარი (კ. რაზუმოვსკის სასახლე, 1762—66 და სამხატვრო აკად. 1764—88, არქიტ. ჟ. ბ. მ. ვალენ-დელამოტთან ერთად — ლენინგრადში).



კოკილი, რომელსაც გასართი ვერტიკალურ სიბრტყეში აქვს: 1,2 — კოკილის ნახევრები; 3 — ბუდეები; 4 — სასხმთა სისტემა;

კოკოსკერია იასონ ბასიათის ძე (დ. 1914, სოფ. კალდახვარა, გაგრის რ-ნი), საბჭ. კავშირის გმირი (24. III. 1945), ეფრეიტორი. სკკპ წევრი 1947-იდან. იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, დნეპრზე; მონაწილეობდა ნიკოლაევის, ოდესის, იზმაილის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. უნგრ. დედაქალაქის ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. სსრკ II მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

ვ. კოკინაკი.

ტ. ჩინჩილაკამეული.

კოკოტაური, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (ცხმორისის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ 450 *მ*, ქედიდან 17 *კმ*. ცხმორისის კოლბა (მეთამბაქოეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, საფეხშლო-სამეანო პუნქტი. კ-შია მინერ. წყარო „კოკოტაური“.

ჩვეულებრივი კოკონა.

კოკოჩაშვილი ვიქტორ ივანეს ძე (დ. 30. X (12. XI). 1904, ქუთაისი), ქართვ. საბჭ. ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1943). პროფესორი (1944). საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა თსუ (1928). მუშაობდა ლ. *პისარჟევსკისთან* და ნ. *სემიონოვთან*. 1928-იდან მუშაობს თსუ-ში: 1935—73 ფიზ.-ქიმ. კათედრის გამგე. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ქიმ. კინეტიკის დარგში, განსაკუთრებით კი აალებისა და ალის გავრცელების საკითხებზე. აღმოაჩინა ალის ფრონტის არამდგრადობა და ჩამოაყალიბა მისი თეორია (1951). კ. მრავალი სახელმძღვანელოს ავტორია.

ი. კოკოსკერია.

კოკოჩაშვილი მერაბ არჩილის ძე (დ. 21. III. 1935, თბილისი), ქართველი საბჭ. კინორეჟისორი. დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტი (1961). საკურსო ნამუშევარი „ხმელი წიფელი“ (1957, ვაჟა-ფშაველას მიხედვით) გამოირჩევა პოეტურობითა და ემოციურობით, რაც საერთოდ დამახასიათებელია კ-ის შემოქმედებისათვის. გადაღებული

კადრი ფილმიდან „დიდი მწვანე ველი“. რეჟისორი მ. ა. კ ო კ ო ჩ ა შ ვ ი ლ ი.



კოლაჟი. პ. პ ი კ ა ს ო. „აპერიტივის ბოთლი“. 1913. ვაშინგტონის უნივერსიტეტი. სენტ-ლუისი.

ი. კოლასი.

გ. კ ო ლ ბე. „ნაიადა“. ბრინჯაო. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

აქვს ფილმები: „კარდაკარ“ (1960, ო. აბესაძესთან ერთად), „არდადაგები“ (1962), „მიხა“ (1965), „დიდი მწვანე ველი“ (1967), „გზა მშვიდობისა, ჯაყო!“ (1973). ჰ. არის საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანი, საქართვ. სატელევიზიო სტუდიის მხატვრული ხელმძღვანელი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

კოკორაშვილი მიხეილ ივანეს ძე [25. II (10. III). 1901, ქუთაისი, — 7. IX. 1963, თბილისი], ქართველი საბჭ. ქირურგი, მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1936), საქ. სსრ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). სკკპ წევრი 1937-იდან. 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1932-იდან გარდაცვალებამდე განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის ბავშვთა ქირურგ. და ორთოპედიის კათედრას. ჰ. შეისწავლიდა ბავშვთა ასაკის ქირურგ., ტრავმატიზმის, უროლოგიური და ორთოპედიული დაავადებების საკითხებს, განსაკუთრებით კი მენჯბარძაყის სახსარში თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და ბავშვთა ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ქართულ ენაზე შეადგინა ბავშვთა ქირურგ. პირველი სახელმძღვანელო (1955). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

თხზ.: ავერტინი, როგორც ნარკოზული საშუალება, ტფ., 1934. ძვალ-სახსრის ტუბერკულოზი, თბ., 1958; **Неотложная хирургия брюшной полости у детей**, Тб., 1956.

კოკროფტი (Cockcroft) ჯონ დუგლას (27. V. 1897, ტოდმორდენი,—18. IX. 1967, კემბრიჯი), ინგლისელი ფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი (1936). სწავლობდა მანჩესტერისა (1919—22) და კემბრიჯის (1922—27) უნ-ტებში. ატომური ენერგიის ინგლის-კანადის ლაბორ. დირექტორი მონრეალში (1944—46). ატომური ენერგიის სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი ჰარუელში (1946—58). 1960-იდან უ. ჩერჩილის კოლეჯის რექტორი კემბრიჯში. 1924 მუშაობა დაიწყო ჰ. კავენდიშის ლაბორატორიაში ე. *რეზერფორდთან*. ვ. *უოლტონთან* ერთად შექმნა პროტონების პირველი ამჩქარებელი და განახორციელა (1932) ბირთვული რეაქცია. ნობელის პრემია (უოლტონთან ერთად, 1951).

კოკურიუკაი (შავი დრაკონის საზ-ბა. შავი დრაკონი — მდ. ამურის ჩინ. და იაპ. სახელწოდებაა), ულტრანაციონალისტური რეაქციული ორგანიზაცია იაპონიაში (1901—46). მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხ. პირებთან და მონოპ. ბურჟუაზიასთან. შეიქმნა როგორც ანტირუს. საზ-ბა. აზიის ბევრ ქვეყანაში იყენებდნენ დაზვერვის, დივერსიისა და პანაზიატიზმის (ჰ-ს მთავარი ლოზუნგი) პროპაგანდისათვის. იაპონიაში ჰ. პროპაგანდას უწევდა უკიდურეს შოვინიზმს და იბრძოდა პროგრ. დემოკრ. ძალების წინააღმდეგ. ჰ-ს ტრადიციებს აგრძელებს 1961 შექმნილი კოკურიუ კურაბუ (შავი დრაკონის კლუბი).

კოკუშკინო, სოფელი ყაზანის გუბერნიაში, ყაზანიდან 24 *კმ*-ზე (ახლანდ. სოფ. ლენინო-კოკუშკინი პესტრეცის რ-ნი, თათრ. ასსრ), სად 1887 დეკ-იდან 1888 ოქტ-მდე გადასახლ ული იყო ვ. ი. ლენინი.

კოლა, მხარე ისტორიულ სამხრ. საქართველოში. მოიცავს მდ. მტკვრის სათავეების ქვაბულს (ახლანდ. თურქეთის ტერიტ.). ვარაუდით, სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. უძველესი აბორიგენი მოსახლეობაც დასავლურ-ქართული უნდა ყოფილიყო. იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV ს.) ჰ. მისი შემადგენელი ნაწილი გახდა, წარმოადგენდა სამხ.-ადმ. ერთეულს და შედიოდა წუნდის საერისთავოში. ძვ. წ. II—I სს-ში ჰ. სომხ. სამეფოს მფლობელობაში იყო, ახ. წ. I—II სს-ში იბერიას დაუბრუნდა. შემდგომში, V ს. I ნახევრამდე, კვლავ სომხ. სამეფოს ეკუთვნოდა. უძველესი დროიდანვე ჰ-ზე გადადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა, რ-იც საქართველოს წინა აზიასთან აკავშირებდა. IX—X სს-ში ჰ. ქართველთა საკურაპალატოში შედიოდა. XI ს. დასაწყისში ჰ-ში მოხდა დიდი ბრძოლა მეფე გიორგი I-ისა და ბიზანტ. კეისრის ბასილის ლაშქარს შორის (იხ. სტ. *შირიმნის ბრძოლა 1021*). XII ს-ში აქ საქართვ. მეფეებს საზაფხულო სადგომი ჰქონდათ. ჰ-ს მხარეში, სოფ. დადეშში, იყო დადეშის საეპისკოპოსოს კათედრალი. XVI ს-ში ჰ. საქართვ. სხვა ტერიტ. ნაწილთან ერთად ოსმალეთმა მიიტაცა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1—2, თბ., 1955—59.

დ. მუსხელიშვილი.

კოლაბორაციონისტები (<ფრანგ. collaboration — თანამშრომლობა), ადამიანები, რ-ებიც II მსოფლიო ომის (1939—45) დროს გერმანელ ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ.

კოლაგენი (ბერძნ. kolla — წებო და ...*გენი*), ფიბრილური ცილა სკლეროპროტეიდების ჯგუფისა, *კოლაგენური ბოჭკოების* ძირითადი მასალა, რ-იც წარმოიქმნება უფრო მარტივი ნივთიერების პროკოლაგენის პოლიმერიზაციით. ჰ-ის მოლეკულას (სიგრძე დაახლ. 3000 Å, სიმსხო 15 Å) ქმნის სპირალურად დახვეული 3 პოლიპეპტიდური ჯაჭვი. ჰ-ის მოლეკულის პირველადი სტრუქტურისათვის დამახასიათებელია ამინომჟავური ჯგუფის — გლიცილი — პროლილი — ოქსიპროლილის თანამიმდევრობის ხშირი განმეორება, რაც მთელი ჯაჭვის კონფიგურაციას განსაზღვრავს (იხ. *ბიოპოლიმერები*). წყალში გათბობისას ჰ-ის მოლეკულა მკვეთრად იკუმშება, ხანგრძლივად გაცხელებისას კი დენატურაციას განიცდის და წებოდ (*ჟელატინად*) იქცევა. ჰ. იხსნება ტუტეების სუსტ (10%) ხსნარებში, არ იხსნება წყალში, ორგ. გამხსნელებში (პ რ ო კ ო ლ ა გ ე ნ ი იხსნება სუსტ მჟავებშიც).

ლ. ნათაძე.

კოლაგენური ბოჭკოები, ადამიანისა და ცხოველების შემაერთებელი ქსოვილისა და მისი სახეცვლილებების (მყესის, ხრტილის, ძვლის ქსოვილების) ბოჭკოების ძირითადი სახე, რ-ის მთავარი შემადგენელი ნივთიერებაა *კოლაგენი*. ჰ. ბ. დაუტოტავია, თითოეული ბოჭკოს სისხო 1—12 *მკმ*, შედგება ფიბრილებისაგან, რ-თაც კოლაგენის ძაფისებრი მოლეკულები შედგენენ. ჰ. ბ-ის შემადგენელი ელემენტები შეწებებულია მუკოპოლისაქარიდული ბუნების ნივთიერებით. ჰ. ბ. უზრუნველყოფს ქსოვილის სიმაგრეს, თანაც ქიმიურადაც გამძლეა. ხარშვისას წებოდ (*ჟელატინად*) იქცევა, რამაც განაპირობა მათი სახელწოდება.

კოლაგენური დაავადებანი, დაავადებათა ჯგუფი, რ-საც საფუძვლად უდევს შემაერთებელი ქსოვილის სისტემური ანთებითი დაზიანება და სკლეროზი საკუთარი ქსოვილების საწინააღმდეგო ანტისხეულების (ავტოაგრესიული იმუნიტეტი) გამომუშავების შედეგად. ტერმ. „ჰ. დ.“ შემოიღო ამერ. მეცნ. ე. კლემპერერმა 1942 იმ პროცესების აღსანიშნავად, რ-ებსაც ახასიათებს კოლაგენური ბოჭკოების (შემაერთებელი ქსოვილის ელემენტი) გაჯირჯვება. ჰ. დ-ს განეკუთვნება *რევმატიზმი, რევმატოიდული ართრიტი*, სისტემური *წითელი მგლამელი*, კვანძოვანი პერიარტერიიტი (იხ. *პერიარტერიიტი კვანძოვანი*). *დერმატომიოზიტი* და სისტემური *სკლეროდერმია*. ჰ. დ-ის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია, ზოგიერთისა არ არის დადგენილი; გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქრონ. ინფექციას (მაგ., სტრეპტოკოკული ინფექცია რევმატიზმის დროს), ორგანიზმზე სხვადასხვა ქიმ. ნივთიერებისა და წამლის ხანგრძლივ მოქმედებას, ტრავმას და დაავადებისადმი ორგანიზმის წინასწარ განწყობას. ჰ. დ-ს ახასიათებს ტემპ-რის მომატება, ორგანიზმის მრავალი ორგანოსა და სისტემის — კანის, სეროზული გარსების, სახსრების, გულის, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ნერვული სისტემისა და სხვათა დაზიანება, ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილის სისხლით მომარაგების მოშლა; ცვლილებები აღინიშნება სისხლში—ერითროციტების დალექვის რეაქცია აჩქარებულია, სისხლის შრატში მომატებულია ცილის გამა-გლობულინური ფრაქცია, რევმატოიდული ართრიტის დროს — რევმატოიდული ფაქტორი და სხვ. ჰ. დ. ხახგრძლივად მიმდინარეობს, პერიოდულად მწვავდება. ზოგჯერ დაავადება დასაწყისში არადიფერენცირებულია და მხოლოდ შემდეგ ხდება ჰ. დ-ის ამა თუ იმ ფორმისათვის დამახასიათებელი სიმპტომების ჩამოყალიბება.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: კორტიკოსტეროიდული ჰორმონული პრეპარატები, რევმატიზმის საწინააღმდეგო საშუალებანი, იმუნოდეპრესანტები.

ლიტ. ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ვ., შინაგანი დაავადებები, გამოც. მე-2, თბ., 1977; Н е с т е р о в А. И., С и г и д и н Я. А., Клиника коллагеновых болезней, 2 изд., М., 1966; Т а р е е в Е. М., Коллагенозы, М., 1965.

ვ. ალადაშვილი.

კოლაგი, სოფელი გურჯაანის რ-ნში (ბაკურციხის სოფსაბჭო), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 440 *მ*, გურჯაანიდან 7 *კმ*. სახელმწ. სანერგე მეურნეობა. რვაწლ. სკოლა, კლუბი, ბ-კა, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კოლა დი რიენცო (Cola di Rienzo) (ნამდვ. სახელი ნიკოლა დი ლორენცო გ ა ბ რ ი ნ ი, Gabrini) (1313, რომი,—8. X. 1354, იქვე), იტალიის პოლიტიკური მოღვაწე, იზიარებდა *პეტრარკას* ჰუმანისტურ შეხედულებებს. *პოპოლანების* აჯანყების (1347 მაისი) გამარჯვების შემდეგ რომის რესპ. სახ. ტრიბუნი გახდა. 1347 წ. 15 დეკ. ფეოდალებმა აღადგინეს თავიანთი ბატონობა. ჰ. დ. რ. იტალიიდან გაიქცა. 1352 ავინიონის საპატიმროში ჩაამწყვდიეს. 1353 ახ. პაპმა ინოკენტი VI-მ გადაწყვეტა გამოეყენებინა ჰ. დ. რ-ს პოპულარობა *პაპის ოლქში* თავისი ძალაუფლების აღსადგენად და პოლიტ. მისიით გაგზავნა იტალიაში. 1354 დამლევს ჰ. დ. რ. კონდოტიერთა რაზმებით რომში შევიდა, სადაც კვლავ გამოცხადდა რესპუბლიკა. მაგრამ ჰ. დ. რ-ს მმართველობის მეთოდებმა და გადასახადების ზრდამ რომში აჯანყება (1354 წ. 8 ოქტ.) გამოიწვია, ჰ. დ. რ. მოკლეს.

„კოლაელ ყრმათა მარტვილობა“, IX ს. ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი; ჰაგიოგრაფიული თხზულება, რ-შიც აღწერილია, როგორ აწამეს 9 გაქრისტიანებული მცირეწლოვანი (7—9 წლისა) ყრმა წარმართებმა (არა უგვიანეს VI ს-ში). თხზ. გვაწვდის საყურადღებო ცნობებს ქრისტიანობის ისტ. ზოგიერთი მხარის გასათვალისწინებლად. ძეგლის მიხედვით, მტკვრის სათავის რ-ნში—ხევში, რ-საც *კოლაჲ* ერქვა, მოსახლეობდნენ ქრისტიანებიც და წარმართებიც. მიუხედავად წარმართთა რიცხობრივი და უფლებრივი უპირატესობისა (სოფლის მთავარიც წარმართი ყოფი-

ლა), ქრისტიანები შეუზღუდავად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას თავიანთ ეკლესიაში, მაგრამ სასტიკად ჰქონდათ აკრძალული ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის. მშობელს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონია, მას შეეძლო სიკვდილითაც დასჯა ურჩი შვილი. „კ. ყ. მ-ის" მიხედვით, უმოწყალო მშობლებმა ქრისტ. სარწმუნოების ერთგულებისათვის კოლაელი ყრმები თითქოს ჯერ სასტიკად აწამეს, ხოლო შემდეგ „განუხეთქნეს თავნი მათნი" და სხვა წარმართთა ხელშეწყობით ჩაქოლეს.

ჩვენამდე მოღწეულია „კ ყ. მ-ის" ერთადერთი, X ს. ხელნაწერი, რ-საც მიაკვლია ნ. მარმა ათონის მონასტერში 1897. ტექსტი გამოსცეს ნ. მარმა (1903, რუს. თარგმანითურთ), დ. კარიჭაშვილმა (1914) და ი. აბულაძემ (1944).

ტექსტი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ სოლ ყუბანეიშვილის მიერ, [ტ] 1, თბ., 1946.

ლიტ ა ბ ულ ა ძ ე ი., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X საუკუნეებში გამოკვლევა და ტექსტები, თბ , 1944. კ ე კ ე ლ ი ძ ე კ . ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ 1. თბ , 1960. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ , თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ , 1977; М а р р Н Я , Мученичество отроков колайцев, «Тексты и разыскания по арм -груз филологии», 1903, кн 5 *ვ. ბაკაშვილი.*

კოლაკოვსკი ალფრედ ალექსის ძე (დ. 24. II. 1906, კიევი), საბჭ. ბოტანიკოსი (სისტემატიკოსი, ბოტანიკოს-გეოგრაფი და პალეობოტანიკოსი), საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1955), პროფესორი (1952), საქ. სსრ (1961) და აფხ. ასსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). კ-ს ძირითადი შრომები ეხება კავკ., განსაკუთრებით კოლხეთის, მცენარეულ საფარს, მის ბოტან.-გეოგრ. დარაიონების საკითხებს, აფხაზეთის პლიოცენურ ფლორას. მან დაადგინა და აღწერა კოლხეთის მესამეული პერიოდის ფლორის 120-მდე ახ. სახეობა და 2 ახ. გვარი. გამოავლინა შიშველთესლოვანთათვის აქამდე უცნობი ეპიდერმული ტიპის სტრუქტურა, დაადგინა კოლხეთში მესამეული პერიოდის ფლორის რეფუგიუმის (თავშესაფარის) უწყვეტობა. პალეობოტან. ანალიზისა და ჰოლარქტიკის რელიქტური ფლორის შესწავლის საფუძველზე ჩრდ. ნახევარსფეროს ფარგლებში გამოყო სრულიად ახ. ბოტან.-გეოგრ. ხმელთაშუამთიანეთის ოლქი. შექმნა კავკ. ნამარხი მცენარეების კატალოგი (ტ. 1—2, 1973), „აფხაზეთის ფლორის" (ტ. 1—4, 1938—49) ავტორი.

კოლაჟი (ფრანგ. collage, სიტყვასიტყვით — დაწებება), ტექნიკური ხერხი სახვით ხელოვნებაში; რაიმე ზედაპირზე მისგან განსხვავებული ფაქტურისა და ფერის მასალის ღაწებება. კ. ეწოდება აგრეთვე მთლიანად ამ ხერხით შესრულებულ ნაწარმოებს. კ-ს უმთავრესად იყენებენ გრაფიკაში სხვადასხვაგვარი მასალის ერთმანეთთან მოულოდნელი შერწყმისათვის. კუბისტებმა, ფუტურისტებმა, დადაისტებმა კ. გადმოიღეს ფორმალური ექსპერიმენტებისათვის; ისინი ტილოს აკრავდნენ გაზეთის ნაგლეჯებს, ფოტოსურათებს, ქსოვილის ნაჭრებს და ა. შ.

კოლაროვგრადი, ბულგარეთის ქ. *შუმენის* სახელწოდება 1965-მდე.

კოლასი იაკუბ (ნამდვ. სახელი და გვარი კონსტანტინე მიხეილის ძე მ ი ც კ ე ვ ი ჩ ი) [22. X (3. XI). 1882, ხუტორი აკინჩიცი, ახლანდ. მინსკის ოლქი, — 13. VIII. 1956, მინსკი], ბელორუსი საბჭ. მწერალი, ბელორ. სსრ სახ. პოეტი (1926), ბელორ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1928), ბელორ. სსრ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1929—56). სკკპ წევრი 1945-იდან. ლიტ. ასპარეზზე გამოვიდა 1906. 1910 გამოაქვეყნა ლექსების კრებ. „მწუხარე სიმღერები". თავისი რეალისტური ნაწარმოებებით (კრებულები „მოთხრობები", 1912, „მშობლიური სახეები", 1914) საფუძველი ჩაუყარა ახ. ბელორ. მხატვრულ პროზას. ავტორია ეპიკური პოემისა „ახალი მიწა" (1911—23), რომანტ. პოემისა „მუსიკოსი სიმონი" (1917—25). ავტობიოგრ. მასალაზე აგებულ ტრილოგიაში „გზაჯვარედინზე" („მიყრუებულ პოლესიეში", 1923; „პოლესიეს სიღრმეში", 1927; „გზაჯვარედინზე", 1954) ასახა ბელორ. დემოკრ. ინტელიგენციის რთული გზა რევოლუციისაკენ. ომის პერიოდში შექმნილი პატრ. ლექსების ციკლისა და პოემისათვის „მებადურის ქოხი" (1947) სსრკ სახელმწ. პრემია (1946, 1949) მიენიჭა. 1937 შოთა რუსთაველს მიუძღვნა ლექსი „ცოცხლობს რუსთაველი". სსრკ II—III მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ . Собр соч., т. 1—4, М., 1951—52. *კ. კვაჭანტირაძე.*

კოლაფსი (ლათ. collapsus — დაცემული), სისხლძარღვთა მწვავე უკმარობა, რასაც დაერთვის არტერიებსა და ვენებში სისხლის წნევის დაცემა. საფუძვლად უდევს სისხლძარღვოვანი ტონუსის მარეგულირებელი ცენტრ. ნერვული სისტემის უმაღლესი უბნების მოქმედების დარღვევა. კ. შეიძლება განვითარდეს მწვავე სისხლდენის, ინტოქსიკაციის, ინფექციის, გულის ზოგიერთი დაავადების (მაგ., გულის კუნთის ინფარქტი), ძლიერი ტკივილის და სხვ. შედეგად. კ-ის კლინიკური ნიშნებია უეცარი სისუსტე, სიფერმკრთალე, თავბრუ, ზოგჯერ ცნობიერების დაკარგვა, აჩქარებული და სუსტი (ძაფისებრი) მაჯისცემა, ხშირი და ზერელე სუნთქვა, ცივი ოფლი; არტერიული სისხლის წნევა კ-ის დროს მკვეთრად ეცემა, ტემპ-რა ნორმალურზე დაბალია, კუნთების ტონუსი შესუსტებულია, კანი ცივი. მძიმე კ. შეიძლება სიკვდილის მიზეზი გახდეს.

მ კ უ რ ნ ა ლ ო ბ ა: კ-ის გამომწვევი მიზეზის სწრაფი ლიკვიდაცია; სისხლძარღვოვანი და სუნთქვის ცენტრების ამგზნები, სისხლძარღვთა შემავიწროებელი საშუალებები, სისხლისა და სისხლის შემცველი სითხის გადასხმა.

კოლაფსი გრავიტაციული, ვარსკვლავის კატასტროფულად ჩქარი შეკუმშვა გრავიტაციული ძალების მოქმედებით. ხდება ვარსკვლავის განვითარების ბოლო სტადიაზე, როდესაც ვარსკვლავის შიგნით თერმობირთვული რეაქციები შეწყდება „საწვავის" ამოწურვის შედეგად, ვარსკვლავი ცივდება და აირის წნევის ძალა, რ-იც ცენტრიდან გარეთაა მიმართული, ეელარ აწონასწორებს ცენტრისკენ მიმართულ მიზიდულობის ძალას. თუ ვარსკვლავის მასა 1,2 მზის მასაზე ნაკლები არაა, მის ცენტრში სიმკვრივე ბირთვის სიმკვრივეს აღწევს (10^{14} *გ/სმ*^{3}), გარე ფენები კი, რ-ებიც შეჩერებულ შიგა ფენებს ეცემა, დარტყმითი ტალღების გავლენით აფეთქდება და მოსცილდება ვარსკვლავს (ე. წ. *ზეახალი ვარსკვლავის* ანთება). ამ გზით წარმოიშობა 2 მზის მასაზე ნაკლებმასიანი *ნეიტრონული ვარსკვლავები* (იხ. *პულსარები*). თუ ვარსკვლავის მასა 2 მზის მასას აღემატება, მისი რადიუსი ბოლოს და ბოლოს *გრავიტაციულ რადიუსზე* ნაკლები გახდება (ე. წ. რელატივისტური კ. გ.) და ვარსკვლავი გაუჩინარდება — წარმოიქმნება ე. წ. შავი ორმო.

ლიტ.: ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი შ., სამყაროს საინტერესო ობიექტები, თბ., 1976.

კოლბა (გერმ. Kolben), სხვადასხვა ფორმის, ჩვეულებრივ, ვიწროყელიანი მინის ჭურჭელი, იყენებენ ქიმ. ლაბორატორიებში. იხ. *ქიმიური ჭურჭელი.*

კოლბე (Kolbe) ადოლფ ვილჰელმ ჰერმან (27. IX. 1818, ელიზაუზენი,—25. XI. 1884, ლაიფციგი), გერმანელი ქიმიკოსი. 1851-იდან მარბურგის, ხოლო 1865—ლაიფციგის უნ-ტის პროფესორი. 1845 დაასინთეზა ძმარმჟავა; 1849 კარბომჟავა მარილების წყალხსნართა ელექტროლიზით მიიღო ნახშირწყალბადები, ნახშირწყალბადების მიღების ამ მეთოდს კ ო ლ ბ ე ს რ ე ა ქ ც ი ა ეწოდა. 1860 ფენოლისა და ნახშირორჟანგისაგან დაასინთეზა სალიცილმჟავა.

კოლბე (Kolbe) გეორგ (15. IV. 1877, ვალდჰაიმი, საქსონია, —20. XI. 1947, ბერლინი), გერმანელი მოქანდაკე. სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში (1895—97); 1897—1901 ცხოვრობდა პარიზსა და რომში. განიცადა ო. *როდენის* გავლენა. ცნობილია კ-ს შექმნილი ქალი-შვილებისა და ჭაბუკების ფიგურები. მათგან აღსანიშნავია „მოცეკვავე ქალი" (ბრონზა, 1911—12, ეროვნ. გალერეა, ბერლინი). კ-ს ხელოვნებას ახასიათებს ჰარმონიულობა, ნათელი ფორმა, ჩრდილ-ნათელის მსუბუქი თამაში, ცოცხლად გადმოცემული მოძრაობის მრავალფეროვნება. 1927—47 კ-მ შექმნა ლ. ბეთჰოვენის ძეგლი (მაინის ფრანკფურტი), ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლის პროექტი (1946), აგრეთვე პორტრეტული ბიუსტები და სხვ.

კოლბები, ადამიანისა და ხერხემლიანი ცხოველების თვალის *ფოტორეცეპტორები*, რ-ებიც უზრუნველყოფენ ფერების გარჩევას (შდრ. *ჩხირები*). აქვს კოლბის ფორმა; განლაგებული არიან ჩხირებთან ერთად *ბადურას* გარეთა შრეში. კ. შეიცავენ გარეთა და შიგნითა სეგმენტებს, შემაერთებელ ბოჭკოს, ბირთვის შემცველ ნაწილს და ბოლოში გამსხვილებულ შიგა ბოჭკოს. კ-ის გარეთა სეგმენტი შედგება მრავალრიცხოვანი მემბრანისებრი დისკოსაგან, რ-ებიც მხედველობის ძოწს შეიცავენ; შიგნითა სეგმენტი შეიცავს მიტოქონდრიებსა და ცხიმოვან წვეთს, ზოგი ხერხემლიანისა — კუმშვად ელემენტს — მიოიდს. გარეთა და შიგნითა სეგმენტები დაკავშირებულია წრიულად განლაგებული, 9 წყვილი ორმაგი ძაფით. დღის ცხოველების ბადურაში კ. ჩხირებზე მეტია (მაგ., თრიას მხოლოდ კ. აქვს), ადამიანის ბადურას ცენტრში კ. ჭარბობს, განაპირა ზონებში კი—ჩხირები. ყვითელი ლაქის ცენტრ. ფოსოში არის მხოლოდ კ. იხ. აგრეთვე, *თვალი, მხედველობა.*



კოლბები, კუს ერთ-ერთი კოლბა (უჯრედი); 1—გარე სეგმენტი; 2—შიგა სეგმენტი; 3—ბირთვიანი ნაწილი; 4—შიგა ბოჭკო; ა—ბირთეი; ბ—მიოიდი.

კოლბერგი, პოლონეთის ქალაქის *კოლობჟეგის* გერმანული სახელწოდება.

კოლბერი (Colbert) ჟან ბატისტ (29. VIII. 1619, რეიმსი,—6. IX. 1683, პარიზი), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, ლუი XIV-ის მინისტრი, 1665-იდან ფინანსთა გენ. კონტროლიორი. [კ-ის ეკონ. პოლიტიკა— კ ო ლ ბ ე რ ტ ი ზ მ ი — მერკანტილიზმის ერთ-ერთი (ფრანგული) სახესხვაობაა]. კ. ცდილობდა სახელმწიფოს ეკონ. შემოსავლის გაზრდას აქტ. სავაჭრო ბალანსის ხარჯზე. 1661 კ-ის მეოხებით შეიქმნა საგანგებო-სასამართლო პალატა. 1667 დააწესა მაღალი საბაჟო ტარიფები უცხოურ საქონელზე, გააუქმა მრავალი შიგა საბაჟო, აკრძალა ნედლეულის გატანა. შექმნა მონოპ. სავაჭრო კომპანიები (ვესტინდ., ოსტინდ., ლევანტის, სენეგალისა და სხვ.). კ-ს გაჰყავდა გზები, არხები, გაზარდა სამხ. და სავაჭრო ფლოტი, არაპირდაპირი გადასახადები; ატარებდა ფართო მასშტაბის კოლონ. პოლიტიკას. მის დროს დასრულდა აბსოლუტიზმის ბიუროკრ. სისტემის ჩამოყალიბება; შეიკვეცა პარლამენტის (სასამართლო პალატების) უფლებები, ქალაქებს ჩამოერთვა თვითმმართველობა. 1663 კ-მა დააარსა ე. წ. „მცირე აკადემია", 1666 — „მეცნიერებათა სამეფო აკადემია", 1969 — მუსიკის სამეფო აკადემია, 1671— არქიტექტურის სამეფო აკადემია. 1667 აირჩიეს საფრ. სამეფო აკად. წევრად. კოლბერტიზმი ხელს უწყობდა კაპიტალიზმის შემდგომ ზრდას, ქმნიდა კაპიტალ. წარმოების განვითარების მატერ.-ტექნ. ბაზას, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა გლეხობის ფეოდ. ექსპლუატაციის ზრდისა და აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის ინტერესების ყოველმხრივი დაცვის პირობებში.

ჟ. ბ. კოლბერი. მხატვარი რ. ნანტეი. 1668. ესტამპების კაბინეტი. ეროვნული ბიბლიოთეკა. პარიზი.

ლიტ.: S a r g e n t A. J., The economic policy of Colbert, N. Y., [1968].

ბ. კილურაძე.

ე. კოლდუელი.

ა. კოლდუნოვი.



კოლენქიმა ღეროს განივსა და სიგრძივ ჭრილში: 1— კუთხური; 2—ფირფიტოვანი; 3—კუთხური კოლენქიმის სიგრძივი ჭრილი; ე— ეპიდერმისი, უ—უჯრედის ღრუ; ბ—ბირთვი.

კოლგოფორი, ისტორიული ქვემო ქართლის (*გოგარენე*), კერძოდ, გარდაბნის პროვინციის ერთ-ერთი მხარე, მოიცავდა მდ. ინწა-სუს ხეობას (სომხ. სსრ), ცენტრი—დაბა კოლები (ახლანდ. სოფ. კოლბი). სოფლის მახლობლად არის ციხის (ვარაუდით, შუა საუკ. კაიწონის ციხე) ნანგრევები.

კოლბრანი (Colbran) იზაბელა ანჯელა (2. II. 1785, მადრიდი,—7. X. 1845, კასტენაზო, ბოლონიის მახლობლად), იტალიელი მომღერალი (დრამ. სოპრანო). ირონებით ესპანელი. სწავლობდა ნეაპოლში. მისი დებიუტი ოპერაში 1801 პარიზში, 1810 [illegible] მღეროდა იტალ. სხვადასხვა ქალაქის, მ. შ. ნეაპოლის სამეფო კარის საოპერო სცენაზე (1811—22). იყო ჯ. *როსინის* მეუღლე, მისი ოპერების (სპეც. ქ-თვის დაწერილი) მთავარი პარტიების (ელისაბედი, „ელისაბედი, ინგლისის დედოფალი", 1815; დეზდემონა, „ოტელო", 1816; არმიდე, „არმიდე", 1817; ანა, „მუჰამად II", 1820; სემირამიდა, „სემირამიდა", 1823 და სხვ.) პირველი შემსრულებელი.

კოლგუევი, კუნძული ბარენცის ზღვის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ხმელეთიდან 75 *კმ*-ზე. შედის რსფსრ არხანგელსკის ოლქის ნენთა ავტ. ოკრუგში. ფართ. 3,2 ათ. *კმ*². კუნძულის ზედაპირი გორაკიანია დიდი მორენული ბორცვებით (სიმაღლე 70—80 *მ*). სამხრ. ნაწილი ბრტყელი ვაკეა. ბევრია ტბა და ჭაობი. ნაპირები სუსტად არის დანაწევრებული. აგებულია ქვიშა-თიხოვანი ნალექებით. იზრდება ტუნდრის მცენარეულობა. ბინადრობს ყარსაღი, მელა. განვითარებულია მეირმეობა, თევზჭერა, ნადირობა. ქ-ზეა დასახლ. პუნქტი ბუგრინო.

კოლდეეი (Koldewey) რობერტ (10. IX. 1855, ბლანკენბურგი,— 4. II. 1925, ბერლინი), გერმანელი არქეოლოგი და არქიტექტურის ისტორიის მკვლევარი, არქეოლ. გათხრები ჩაატარა საბერძნეთში, იტალიაში, კ. სიცილიაზე, მცირე აზიის ჩრდ.-დას. სანაპიროზე (ასოსი), კ. ლესბოსზე, სამხრ. აღმ. თურქეთში (ზენჯირლი), მესოპოტამიაში (ბაბილონი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ძვ. ბაბილონზე.

კოლდერი (Calder) ალიგზანდერ (22. VII. 1898 — 1976), ამერიკელი მოქანდაკე. 1923 — 26 სწავლობდა სამხატვრო სტუდენტურ ლიგაში (ნიუ-იორკი). 1926—33 მუშაობდა პარიზში, სადაც დაუახლოვდა ხ. მიროსა და პ. მონდრიანს. დაახლ. 1930 აბსტრ. ხელოვნ. მიმდევარი გახდა. ჯ. ამერ. მოდერნიზმის წამყვანი წარმომადგენელია. ქ-მა შექმნა აბსტრ. ქანდაკების ახ. ტიპი („მობილები"), რ-იც რკინის ღერძებისა და ფურცლებისაგან აგებულ მოძრავ კონსტრუქციებს წარმოადგენს. ჯ. ასრულებს აგრეთვე ლითონის უძრავ კონსტრუქციებს („სტაბილები") და პორტრეტებს (მავთულებისაგან). მუშაობს ფერწერასა და გრაფიკაში.

კოლდუელი (Caldwell) ერსკინ პრესტონ (დ. 17. XII. 1903, უაიტ-ოუკი, ჯორჯიის შტ.), ამერიკელი მწერალი. 1931 გამოაქვეყნა მოთხრობების პირველი კრებ. „ამერიკის მიწა", რომანში „თამბაქოს გზა" (1933) 20-იანი წლების კრიზისია ასახული. ბუფონადისა და პათეტიკის ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისებზეა აგებული რომანი „ღმერთის ერთი აკრი" (1933). ქ-ის შემოქმედების მთავარი ჟანრია მოთხრობა, ნოველა, ხოლო მთავარი თემები — რასობრივი დისკრიმინაცია, სოც. უსამართლობა (კრებულები „ჩვენ ვცოცხლობთ", 1933; „დაიჩოქეთ ამომავალი მზის წინაშე", 1935; „სამხრეთულ ყაიდაზე", 1938); ხშირად მათ საფუძვლად უდევს ხალხ. თქმულებები, არაკები, ანდაზები. II მსოფლიო ომის დროს ქ. იყო სსრკ-ში, აქ დაწერა სამხ.-პუბლიც. წიგნები „მოსკოვი ცეცხლში" (1942), „სმოლენსკის გზაზე" (1942), „მთელი ღამე" (1942) და სხვ. შემდგომი თხზულებებიდან აღსანიშნავია ავტობიოგრ. მოთხრ. „ჯორჯიელი ბიჭი" (1943), რომანები „ღმერთის მტკიცე ხელი" (1947), „სიყვარული და ფულები" (1954), „ჯენი" (1961), „სახლის მახლობლად" (1963), კრებ. „ამერიკა გარდიგარდმო" (1964), „პისკოს ძებნაში" (1965) და სხვ.

თხზ.: The complete stories, Toronto, [illegible]; Повести и рассказы, М., 1956; [წიგნში] ამერიკული ნოველა, ტ. 2, თბ., 1968.

ლიტ.: Каткин И., Для читателя-современника, М., 1968.

კოლდუნოვი ალექსანდრე ივანეს ძე (დ. 20. IX. 1923, სოფ. მოშინოვო, ახლანდ. მონასტირშჩინის რ-ნი, სმოლენსკის ოლქი), საბჭ. მხედართუფროსი, ავიაციის გენ.-პ. (1971), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (2. VIII. 1944 და 23. II. 1948). სკკპ წევრი 1944-იდან. საბჭ. არმიაშია 1941 თებ-იდან. დაამთავრა კაჩის მფრინავთა სამხ.-საავიაციო სკოლა (1943), სამხ.-საჰაერო აკადემია (1952) და გენშტაბის სამხ. აკადემია (1960). დიდ სამამულო ომში (1941—45) იბრძოდა სამხრ.-დას. და უკრ. III ფრონტებზე. იყო მფრინავი, რგოლის, ესკადრილიის მეთაური. ჩაატარა 358 საბრძოლო გაფრენა, მონაწილეობდა 96 საჰაერო ბრძოლაში, პირადად ჩამოაგდო მტრის 46 თვითმფრინავი. ომის შემდეგ სამეთაურო თანამდებობებზეა. 1971-იდან სკკპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 8 სხვა ორდენითა და მედლებით.

კოლეგია, ამა თუ იმ უწყების (დაწესებულების, ორგანიზაციის) მაღალი თანამდებობის პირთა ჯგუფი, რ-იც უფლებამოსილია განიხილოს უწყების კომპეტენციაში შემავალი საკითხები. სოციალ. ქვეყნებში კ. კოლექტ. ორგანოა, რ-იც ხელისუფლების, მმართველობისა თუ მართლმსაჯულების ფუნქციებს ახორციელებს. იხ. აგრეთვე *კოლეგიურობა*.

კოლეგიები რუსეთში, ცენტრალური დაწესებულებები, რ-ებიც XVIII ს-ში განაგებდნენ სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგებს. შემოიღო პეტრე I-ის მთავრობამ *„პრიკაზების"* მაგიერ, სახელმწ. მმართველობის ცენტრალიზაციისა და უწყებათა შორის ფუნქციების მკაფიოდ გამიჯვნის მიზნით. 1717—21 დაარსდა 12 კოლეგია — *საგარეო საქმეთა კოლეგია*, სამხ. კ., იუსტიციის კ., კომერც. კ., *მოკავარი მაგისტრატი* და სხვ. 1718—20 განისაზღვრა ქ-ის ფუნქციები, დამტკიცდა მათი სტრუქტურა და შტატები, აგრეთვე *გენერალური რეგლამენტი*. კ. ემორჩილებოდა იმპერატორსა და სენატს. ქ-თან იყო ფისკალი (მოგვიანებით პროკურორი), რ-იც კონტროლს უწევდა ქ-ის საქმიანობას. 1722—27 და 1764—86 არსებობდა მალოროსიის კოლეგია — უკრ. მმართველობის ორგანო. 1726 შეიქმნა ეკონომიის კოლეგია, 1763—სამედ. კოლეგია. ზოგიერთი კოლეგია გაუქმდა XVIII ს. 80-იან წლებში. საერთოდ კი ქ. არსებობდა XIX ს. დასაწყისამდე — სამინისტროების დაარსებამდე.

კოლეგიურობა, ხელმძღვანელობის პრინციპი, კოლექტიური ხელმძღვანელობა ამა თუ იმ ორგანოს უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ჯგუფის მიერ. სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებში ქ. *დემოკრატიული ცენტრალიზმის* ერთ-ერთი ძირითადი გამოვლინებაა. ქ. გულისხმობს საკითხთა კოლექტ. განხილვას და გადაწყვეტილებათა მიღებას სხდომის ან კრების მონაწილეთა მიერ.

ქ. არის კომპარტიის ხელმძღვანელი საქმიანობის უმაღლესი ლენინური პრინციპი. ქ. ვლინდება პარტ. ყრილობებზე, კონფერენციებზე, კრებებზე, პარტ. კომიტეტების სხდომებზე საკითხების ფართოდ და ყოველმხრივ განხილვაში, რაც სწორი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი გარანტიაა. პარტ. ხელმძღვანელობაში ქ. მთავარი საშუალებაა იმისა, რომ ქმედითი კონტროლი გაეწიოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, დროზე აღმოიფხვრას ნაკლოვანებები, გაძლიერდეს მინდობილი საქმისათვის მუშაკის პასუხისმგებლობა, ფართოდ გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაიზარდოს კომუნისტების აქტიურობა და თვითმოქმედება, განვითარდეს დემოკრატია და სხვ.

ქ. სოციალ. სახელმწ. მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ამასთან, იგი შეხამებული უნდა იყოს ერთპიროვნული პასუხისმგებლობის პრინციპთან. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „საბჭოთა დაწესებულებებში მმართველობის ყველა საკითხის კოლეგიურ განხილვას და გადაწყვეტას თან უნდა სდევდეს როგორიც გნებავთ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი ყოველი პირის უაღრესად ზუსტი პასუხისმგებლობა გარკვეული, ნათლად და მკვეთრად შემოფარგლული, დავალებისა და პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისათვის" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 28, გვ. 433). საბჭ. სახელმწ. ორგანოებს, რ-თა საქმიანობა ქ-ის საწყისებზეა აგებული, მიეკუთვნებიან უმაღლესი საბჭოები, მათი პრეზიდიუმები, ადგილ. საბჭოები, საბჭოების აღმასრ.-განმკარგულებელი ორგანოები — მინისტრთა საბჭოები და აღმასკომები, საბჭოების მუდმივი კომისიები. კოლეგიურია სასამართლოების მუშაობა. კოლეგიურად წყვეტს საკითხებს დარგობრივი მმართველობის ზოგი ორგანო (მაგ., სახელმწ. კომიტეტი). ქ. წამყვანი პრინციპია მშრომელთა მასობრივი საზ. ორგანიზაციების მუშაობაში.

კოლე კუეტო (Kolle Cueto) ხორხე (დ. 20. IV. 1930, სუდანიესი, ჩუკისაკის დეპარტ.), ბოლივიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე, მასწავლებელი. 1950 შვიდა ბოლივიის კომუნისტურ პარტიაში (ბკპ). 1954-იდან ბკპ-ის ცკ-ის წევრი, 1968-იდან ბკპ-ის ცკ-ის პირველი მდივანი. რევ. მოღვაწეობისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. *ხ. როგავა.*

კოლენკური (Caulaincourt) არმან ოგიუსტენ ლუი (9. XII. 1773, კოლენკური, — 19. II. 1827, პარიზი), მარკიზი, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე. ძვ. არისტოკრატიის წარმომადგენელი, ნაპოლეონ I-ის მიმდევარი. სარგებლობდა მისი უსაზღვრო ნდობით და ასრულებდა რთულ პოლიტ. და დიპლ. დავალებებს. 1801 საპატიო მისიით გაიგზავნა რუსეთში. 1807—11 საფრ. ელჩი იყო რუსეთში, ცდილობდა გადაეთქმევინებინა იმპერატორისათვის რუსეთზე ლაშქრობა. თან ახლდა ნაპოლეონს 1812 ლაშქრობაში. „ასი დღის" განმავლობაში იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. ბურბონთა რესტავრაციის შემდეგ ჩამოაშორეს პოლიტ. სარბიელს. დაწერა ფაქტობრივი მასალით მდიდარი „მემუარები".

კოლენქიმა (ბერძნ. kolla — წებო და enchyma, სიტყვასიტყვით — ჩამოსხმული, აქ — ქსოვილი), მცენარის ერთ-ერთი პირველადი ცოცხალი მექანიკური ქსოვილი. ქ-ის პარენქიმული ან წაგრძელებული უჯრედების გარსი არათანაბრად არის გასქელებული. განასხვავებენ კუთხურ, ფირფიტოვან და ფაშარ ქ-ს. გვხვდება ორლებნიან მცენარეთა ნორჩი ღეროების პირველად ქერქში. ქ-ის უჯრედების კედლები ძირითადად ცელულოზისაგან ან ცელულოზისა და პექტინისაგან შედგება.

კოლეჟ დე ფრანსი (Collège de France), საფრანგეთის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულება. დაარსდა 1530. ქ. დე ფ-ის ამოცანები 1911 წ. 24 მაისის დეკრეტში განსაზღვრულია. ქ. დე ფ-ს აფინანსებს სახელმწიფო, ზოგიერთი კათედრა შექმნილია კერძო სახსრებით. 1972 ქ. დე ფ-

ში მუშაობდა 52 კათედრა და სხვადასხვა პროფილის ბევრი ლაბორატორია. კათედრების პროფესორები თვითონ განსაზღვრავენ სალექციო კურსების თემატიკას, რ-იც უშუალოდ დაკავშირებულია მათ სამეცნ.-კვლ. მუშაობასთან. ლექციებზე შესვლა თავისუფალია, მსმენელისათვის გამოცდები არ ტარდება. 1970 კ. დე ფ-ში დაარსდა კათედრა, სადაც ლექციების კურსის წაკითხვა შეუძლიათ ადმინისტრაციის მიერ მოწვეულ უცხოელ მეცნიერებს (1972 ლექციების ციკლი წაიკითხა აკად. ლ. არციმოვიჩმა).

კოლეჟი (ფრანგ. collège), სასწავლებელი საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიის ფრანგულენოვან კანტონებსა და აფრიკისა და აზიის იმ ქვეყნებში, რ-იც ადრე შედიოდნენ საფრ. კოლონ. იმპერიის შემადგენლობაში.

კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული [31. VIII (12. IX). 1882, მოსკოვი, — 18. III. 1964, იქვე], რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთში. კომპარტიის წევრი 1904-იდან. დაამთავრა მოსკ. პედ. კურსები, პროფესიით მასწავლებელი იყო. 1907—16 პარტ. მუშაობას ეწეოდა მოსკოვსა და ბაქოში. 1917 თებ. რევ. შემდეგ რსდმპ (ბ) მოსკ. საოკრუგო კომიტეტის მდივანი. მონაწილეობდა აზერბაიჯანში საბჭ. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. 1918 აპრილიდან ბაქოში სახკომსაბჭოს განათლების სახ. კომისარი, 1919 იანვ. რკპ (ბ) ასტრახანის საგუბერნიო კომიტეტის თავ-რე, შემდეგ აზერბ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილე, რკპ (ბ) მოსკ. საგუბერნიო კომიტეტის აგიტაციაპროპაგანდის განყ-ბის გამგე. 1929—32 ნ. კრუპსკაიას სახ. კომუნისტური აღზრდის აკადემიის რექტორი. 1933—57 სამეცნ. საშუშაოზე იყო. საკ. კპ (ბ) XV და XVI ყრილობის დელეგატი. აქვს ნაშრომები ისტ. პარტ. მუშაობის საკითხებზე და მოგონებები. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით და მედლებით.

კოლესნიკოვი ივანე სტეფანეს ძე [დ. 2 (15). XII. 1901, სოფ. პოდოსინოვკა, ახლანდ. ვორონეჟის ოლქი, ნოვოხოპიორსკის რ-ნი], საბჭ. ქირურგი. სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1971), სამედ. სამსახურის გენ.-მ. სკკპ წევრი 1928-იდან. 1931 დაამთავრა კიროვის სახ. სამხ.-სამედ. აკადემია; 1953-იდან განაგებს ამ აკად. ჰოსპიტალური ქირურგ. კლინიკას. დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—45) არმიისა და ფრონტის ქირურგი იყო. კ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება სამხ.-საველე და გულის ქირურგიის, ტუბერკულოზის ქირურგ. მკურნალობის, ჰემოტრანსფუზიოლოგიის, ტრანსპლანტოლოგიის, რეანიმატოლოგიის საკითხებს. ლენინური პრემიის ლაურეატი (1961). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 12 სხვა ორდენითა (მ. შ. 3 უცხოური) და მედლებით.

თხზ.: Резекция желудка, [Л.], 1960; Удаление инородных тел из плевральной полости лёгких и средостения, М., 1949.

კოლეტი (Colette) გაბრიელ სიდონი (28. I. 1873, სენ-სოვერ-ან-პიუიზე, იონის დეპარტ., — 3. VIII. 1954, პარიზი), ფრანგი მწერალი ქალი. ბელგიის სამეფო აკად. წევრი 1936-იდან; გონკურების აკად. წევრი 1944-იდან. ხშირად წერდა ვილის ფსევდონიმით. ლიტ. დამსახურებისათვის 1953 დაჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით. კ-მა განავითარა ფსიქოლ. რომანის ჟანრი. მისი რომანებიდან აღსანიშნავია ავტობიოგრ. ციკლი „კლოდინი სკოლაში" (1900), „კლოდინი პარიზში" (1901), „კლოდინი გათხოვილი" (1902), „კლოდინი მიდის" (1903), „კლოდინის სახლი" (1922), აგრეთვე „მოხეტიალე ქალი" (1911), „შერი" (1920), „შერის დასასრული" (1926), „სიდო" (1930) და სხვ. ღრმააზროვანია კ-ის ლირ. დღიური „სალამოს ვარსკვლავი" (1947), რ-იც ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთს ასახავს. მისი არაერთი ნაწარმოები დაიდგა სცენაზე, გადაკეთდა ეკრანისთვის.

ლიტ.: История французской литературы, т. 4, М., 1963; Луначарский А. В., Колетта Вилли, მის წგნ.: О театре и драматургии, т. 2, М., 1958.

კოლეტი (Collett) იაკობინე კამილა (23. I. 1813, კრისტიანსანი, — 6. III. 1895, ქრისტიანია), ნორვეგიელი მწერალი ქალი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 40-იან წლებშ.. მისი მთავარი ნაწარმოებია რომანი „ამტმანის ქალიშვილები" (1854—55, გამოქვეყნდა ანონიმურად), რ-იც მიუხედავად სანტიმენტალური ელფერისა, მიჩნეულია პირველ სოც. რომანად ნორვ. ლიტ-რაში. კ-ს ეკუთვნის აგრეთვე თხზულებები „უკანასკნელი ფურცლები" (1868—73), „დინების საპირისპიროდ" (1879—85), ავტობიოგრ. „გრძელ ღამეებში" (1863) და სხვ.

კოლექტივიზაცია. იხ. *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია* სსრ კავშირში.

„კოლექტივიზაცია", საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საგლეხო გაზეთი (1930—35). 1931-იდან (№ 1—46) საქ. კპ (ბ) ცკ-ის, ხოლო 47-ე ნომრიდან მიწსახკომისა და კოლმეურნეცენტრის გაზეთი იყო. გამოდიოდა 2 დღეში ერთხელ *„ახალი სოფლის"* (1925—30) ნაცვლად, 1933—35 — ყოველდღიურად. 1926—31 გაზეთს ჰქონდა ორკვირეული იუმორისტული დამატება—ჟურნ. „შოლტი".

გ. თოდუა.

კოლექტივიზმი (<ლათ. collectivus—კრებითი), ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობისა და თანამეგობრობის, საერთო ინტერესებისათვის მათი ერთობლივი საქმიანობის ზნეობრივი პრინციპი. კ. და მისი ისტ. ფორმები განსაზღვრულია საზ-ბის საწარმოო-ეკონ. საფუძვლებით.

ანტაგონისტურ, კერძოდ, კაპიტალ. საზ-ბაში „კოლექტიურობა იყო გაერთიანება ერთი კლასისა მეორის წინააღმდეგ, ამიტომ დაქვემდებარებული კლასისათვის იგი წარმოადგენდა არა მარტო ილუზორულ კოლექტიურობას, არამედ ახალ ბორკილებსაც" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. ფოიერბახი..., თბ., 1968, გვ. 106).

კ-ის უმაღლესი ფორმაა სოციალ. კ., რ-იც წარმოიშობა და ვითარდება ექსპლუატატორული წყობილების მოსპობის შემდეგ წარმოების საშუალებებზე სოციალ. საკუთრების დამყარების საფუძველზე. იგი ყოველგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებული მშრომელი ადამიანების ზნეობრივი ურთიერთობის საყოველთაო პრინციპია.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., აღზრდისა და განათლების შესახებ, თბ., 1972; სკკპ პროგრამა, თბ., 1971.

ბ. ლუტიძე.

კოლექტივის ფსიქოლოგია, იხ. *სოციალური ფსიქოლოგია.*

კოლექტიური უშიშროება, მთელი მსოფლიოს ან ამა თუ იმ რეგიონის სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებათა სისტემა, რ-იც საერთაშორისო ხელშეკრულებას ემყარება და მიმართულია საერთაშ. მშვიდობის უზრუნველსაყოფად. კ. უ-ის ხელშეკრულებაში მთავარია მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთდახმარების ვალდებულება — ერთობლივად იმოქმედონ *აგრესიის* საფრთხის აღსაკვეთად, თითოეულმა მათგანმა მის წინააღმდეგ ჩადენილ აგრესიად მიიჩნიოს სხვა სახელმწიფოს თავდასხმა ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეზე და, შესაბამისად, სამხ. და სხვა დახმარება გაუწიოს აგრესიის მსხვერპლს. კ. უ-ის ხელშეკრულებაში მონაწილეობისათვის მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფოს საზ. წესწყობილებას. კ. უ. გულისხმობს საერთაშ. სამართ. ისეთი ძირითადი პრინციპების განუხრელ შესრულებას, როგორიცაა ძალისა და ძალისმიერი მუქარის დაუშვებლობა საერთაშ. ურთიერთობებში და კოველგვარი საერთაშ. დავის გადაწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი გზით. სსრკ თავიდანვე იბრძოდა კ. უ-ის ეფექტიანი სისტემის შესაქმნელად, რასაც შედეგად მოჰყვა *გაეროს* დაარსება. რეგიონული კ. უ-ის მაგალითია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა* კარგი პირობები შეუქმნა კ. უ-ის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას ამ რეგიონში. ასეთი სისტემების შექმნა მიზანშეწონილი იქნებოდა სხვა რეგიონებშიც, განსაკუთრებით აზიაში.

რ. დეკანოზოვი.

კოლექტიური ხელშეკრულება, სსრკ-ში მუშაკთა კოლექტივის სახელით პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის შეთანხმება საწარმოთა ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან; შეიცავს მთელ რიგ ურთიერთვალდებულებებს. ეს ვალდებულებანი ეხება საწარმოო გეგმების შესრულებას, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, ახ. ტექნიკის დანერგვას და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და თვითღირებულების შემცირებას, სოციალ. შეჯიბრების განვითარებას, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას და უშუალოდ წარმოებაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მომზადებას; აგრეთვე წარმოების მართვაში მუშაკთა ჩაბმას, შრომის დაცვას, წარმოების მოწინავეთათვის შეღავათისა და უპირატესობის მინიჭებას, მშრომელთა საბინაო პირობებისა და კულტ.-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, აღმზრდელობითი და კულტ.-მასობრივი მუშაობის განვითარებას და სხვ.

კ. ხ. შეიცავს ამა თუ იმ საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილ ძირითად დებულებებს შრომისა და ხელფასის საკითხებზე, აგრეთვე ადმ. და პროფკომიტეტის მიერ შემუშავებულ დებულებებს სამუშაო დროის, დასვენების, შრომის ანაზღაურების, მატერ. სტიმულირების და შრომის დაცვის შესახებ; კ. ხ-ის პროექტი განიხილება კოლექტივის წევრთა კრებებზე (კონფერენციებზე), მოწონების შემდეგ ფორმდება წერილობით. კ. ხ-ის დადებისას მხარეთა შორის წარმოშობილ უთანხმოებებს წყვეტს ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანო მხარეთა მონაწილეობით. კ. ხ. წარმოადგენს მშრომელთა წარმოების მართვაში ჩაბმის მნიშვნელოვან ფორმას. მისი როლი განსაკუთრებით გაიზარდა ეკონ. რეფორმის პირობებში, რ-მაც შექმნა დამატებითი შესაძლებლობები კოლექტივის ძალებით სოც. პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

კაპიტალ. ქვეყნებში კ. ხ. ითვლება შეთანხმებად შრომის პირობების, ხელფასისა და მისთ. შესახებ, რ-საც დებენ მშრომელთა ორგანიზაციები (ჩვეულებრივ პროფკავშირი) და ცალკეული მეწარმე ან საწარმოო გაერთიანებები ურთიერთ შორის. კაპიტალ. ქვეყნებში მეწარმეები იბრძვიან კ. ხ-ის დადების წინააღმდეგ. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კ. ხ. არსებობს, კაპიტალისტები ცდილობენ გამოიყენონ ეს ხელშეკრულება გაფიცვების ჩასახშობად. ამისათვის ისინი ხშირად ახერხებენ კ. ხ-ში შეიტანონ დებულება გაფიცვების აკრძალვის შესახებ.

ვ. შარაშენიძე.

კოლექტორი (გვიანდ. ლათ. collector—შემგროვებელი), 1. დაწესებულება, რ-იც რაიმეს აგროვებს და ანაწილებს (მაგ., *კოლექტორი* საბიბლიოთეკო); 2. პირი, რ-იც აგროვებს და აღწერს რაიმე ნიმუშებს (მაგ., ქანების, ნიადაგების და სხვ. კ.); 3. ზოგიერთი ტექ. მოწყობილობის სახელწოდება (მაგ., *კოლექტორი* ელექტრომანქანისა, *კოლექტორი* საკანალიზაციო და სხვ.).

კოლექტორი ელექტრომანქანისა, სიხშირის მექანიკური გარდამქმნელი, რ-იც კონსტრუქციულად გაერთიანებულია ელექტრული მანქანის როტორთან (იხ. *კოლექტორული მანქანა*). შედგება ერთმანეთისა და როტორის კორპუსისაგან ელექტრულად იზოლირებული ტრა-



კონუსური დასაჭირებელი საველურების მქონე ელექტრული მანქანის ცილინდრული კოლექტორი: 1—კოლექტორის ფირფიტა; 2—მიკანიტის მანჟეტი; 3—კონუსური დასაჭირებელი საველური; 4—რგოლური ქანჩი; 5—მილისი; 6—ღუზის ლილვი.

კ. კოლვიცი. „ავტოპორტრეტი შუბლზე მიდებული ხელით". რბილი ლაქი, მშრალი ნემსი 1910

პეციის ფორმის სპილენძის რამდენიმე ფირფიტისაგან. ყოველ ფირფიტას უერთებენ ღუზის გრაგნილის ერთ ან რამდენიმე ხვიას. ღუზის გრაგნილს ჩართავენ გარე ელექტრულ ძალაში ნახშირის საკონტაქტო ჯაგრისების მეშვეობით, რ-ებიც ღუზის ბრუნვისას რიგრიგობით ეხებიან კ-ის ფირფიტებს. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ცილინდრული კ. (ნახ.), რ-ის მუსები მიბჯენილია გარე ზედაპირზე. მცირე სიმძლავრის მანქანებში (10 *კვტ*-მდე) კ-ის ფირფიტებს ჩაწნეხენ პლასტმასაში; 15—25 *კვტ* და მეტი სიმძლავრის მანქანებში (ბრუნვის სიხშირე — 3000 *ბრ/წთ* და მეტი) ფირფიტებს ამაგრებენ ფოლადის არტახის რგოლებით.

კოლექტორი საბიბლიოთეკო, სსრკ-ში სპეციალური წიგნსავაჭრო დაწესებულება, რ-იც ბიბლიოთეკებს ამარაგებს ლიტერატურით, საბიბლიოთეკო ტექნიკით, ბიბლიოგრაფიულად ამუშავებს წიგნებს, საკონსულტაციო-ბიბლიოგრაფიულ დახმარებას უწევს ბ-კებს ფონდების დაკომპლექტებაში.

კოლექტორი საკანალიზაციო, საკანალიზაციო ქსელის უბანი, რ-იც აგროვებს ჩამდინარე წყალს კანალიზების აუზებიდან (იხ. *კანალიზაცია*). კ. სხვადასხვა სახეობისაა: კანალიზების აუზისა (ღებულობს ჩამდინარე წყალს ერთი აუზის საკანალიზაციო ქსელიდან), მთავარი (აგროვებს ჩამდინარე წყალს კანალიზების აუზების ორი ან რამდენიმე კ-იდან) და ქალაქგარეთა ან სარინი კ. — ახდენს ჩამდინარე წყლის ტრანზიტით არინებას კანალიზების ობიექტის ფარგლებს გარეთ და მას მიმართავს სატუმბავი სადგურებისაკენ, საწმენდი ნაგებობებისაკენ ან წყალსატევში ჩაშვების ადგილისაკენ. კ-ს აგებენ ინდუსტრ. მეთოდებით კერამ., ბეტონის, აზბესტცემენტის მილებისა და მსხვილი ასაწყობი ელემენტებისაგან.

კოლექტორული მანქანა, ელექტრული მანქანა (გენერატორი, ძრავა), რ-შიც ღუზის (როტორის) გრაგნილი შეერთებულია *კოლექტორთან*. მუდმივი დენის ყველა მანქანა (უნიპოლარულების გარდა) წარმოადგენს კ. მ-ს. ცვლადი დენის კ. მ-ს (კოლექტორული ასინქრონული ძრავა) იყენებენ უმთავრესად ბრუნვის სიხშირის ფართო რეგულირების ელექტროამძრავში (ამწეები, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოები და სხვ.). იგი უფრო რთულია და ნაკლებად საიმედო ექსპლუატაციის დროს, ვიდრე უკოლექტორო მანქანა, ამიტომ იშვიათად იყენებენ.

კოლექცია (ლათ. collectio — შეგროვება, კრებული), ერთგვაროვანი ან თემატურად გაერთიანებული საგნების (რ-ებსაც, როგორც წესი, აქვს ისტ. ან მხატვრული ღირებულება) სისტემაში მოყვანილი კრებული.

კოლექციონირება შემგროვებლობისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი გულისხმობს საკოლექციო მასალის გამოვლინებას, შეგროვებას, შესწავლას და სისტემაში მოყვანას; აღმოცენდა რენესანსის ეპოქაში (მედიჩები ფლორენციაში, ლუი XIV, ფრანგი კარდინალები რიშელიე და მაზარინი, პაპები იულიუს II, ლეო X და სხვ.). ცნობილი უნივერსალური კ. ჰქონდათ ი. გოეთესა და ამერ. მხატვარსა და ბუნებისმეტყველს ჩ. პილს. ძვ. რუს. ხელნაწერებისა და წიგნების უდიდესი კ. ჰქონდა ა. მუსინ-პუშკინს. ბევრი კერძო კ. საფუძვლად დაედო მუზეუმებს (პ. და ს. ტრეტიაკოვების, ს. და პ. შჩუკინების სახვითი ხელოვნ. ნიმუშების კ., ა. ბახრუშინის სათეატრო მასალების კ., და სხვ.), წიგნების დიდი კ-ები საფუძვლად დაედო ბ-კებს (ნ. რუმიანცევის, ა. ჩერტკოვისა და სხვ.).

XIX და XX სს. მიჯნაზე ჯერ აშშ-ში, შემდეგ ევროპაში კ. კაპიტალის დაბანდების სარფიან ხერხად იქცა, რადგანაც გადასახადები არ ედებოდა, ამან კი გამოიწვია კ-ის ობიექტებით სპეკულაცია.

კოლექციონირება ხელს უწყობს ნუმიზმატიკის, ჰერალდიკის, სფრაგისტიკის, ჯგრეთვე არქეოლ., ეთნოგრ. და სხვ. განვითარებას. ჩამოყალიბდა კოლექციონირების 3 სახე: სამეცნ., სასწავლო და მოყვარულთა. გამოიკვეთა მისი დარგებიც: ფილატელია (საფოსტო მარკების შეგროვება და შესწავლა), ბონისტიკა (ქაღალდის ფულისა, ნიშნებისა და ბონების შეგროვება და შესწავლა), მოყვარულთა ნუმიზმატიკა, ფილუმენია (ასანთის კოლოფების ან მათი ეტიკეტების შეგროვება), ფილოკარტია (ბარათების შეგროვება და შესწავლა), ფალერისტიკა (სამკერდე ნიშნების შეგროვება და შესწავლა), ფილოფონია (მუს. ჩანაწერების შეგროვება და შესწავლა) და სხვ ბევრ ქვეყანაში არის კოლექციონერთა საზ-ბები, გამოდის სპეც. წიგნები, ჟურნალები და კატალოგები. სსრკ-ში არის ფილატელისტთა საკავშ. საზ-ბა, წიგნის მოყვარულთა საზ-ბა. ამ საზ-ბებს აქვთ რესპ. ფილიალები, მაგ., საქართვ. წიგნისმოყვარულთა საზ-ბა.

კოლეჯი (ინგლ. college), სასწავლო დაწესებულება დიდ ბრიტანეთში და აშშ-ში. არსებობს 3 ძირითადი ტიპის კ.: 1. შეესატყვისება უმაღლეს სასწავლებელს, 2. საშუალედო სასწავლებელი საშ. სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის, 3. შეესატყვისება საშ. სკოლის დონეს და განკუთვნილია 16 წელზე უფროსი ასაკის ახალგაზრდებისათვის.

კ. აღმოცენდა XIII ს. დიდ ბრიტანეთში. ტრად სახით კ. შენარჩუნებულია ძვ. უნ-ტებში (*ოქსფორდის უნივერსიტეტი, კემბრიჯის უნივერსიტეტი* და სხვ.). კ-ები, რ-ებიც შედის დიდი ბრიტ. სხვა უნ-ტების შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, გარკვეულად დამოუკიდებელი სპეც უმაღლესი სასწავლებლებია.

ტექ., პედ. და სხვ სპეც. კ-ები ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მუშებს, ოსტატებსა და ტექნიკოსებს უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინრებს ამზადებს უნ-ტების შემადგენლობაში შემავალი კ-ები. ტრადიციით კ-ს უწოდებენ ზოგიერთ ძვ. პრივილეგიურ საშ. სკოლას (*იტონის კოლეჯი*, უინჩესტერის კ. და სხვ.), აგრეთვე ზოგიერთ კერძო ძვირადღირებულ სასწავლებელსაც აშშ-ში პირველი კ-ები (ინგლ. კ-ების ყაიდისა) XVII ს-ში აღმოცენდა; კ-ების უმრავლესობა 4-წლიანია, დამთავრებისას ენიჭებათ ბაკალავრის ხარისხი. კ-თა უმეტესობა ზოგადსაგანმან. განათლების გარდა იძლევა რომელიმე სპეციალობასაც. აშშ-ში არის აგრეთვე ბევრი 2-წლიანი დაბალი კ., სადაც შეიძლება ისეთი სპეციალობის მიღება, რ-იც არ მოითხოვს უმაღლეს განათლებას (მაგ., აშშ-ში — საბიბლიოთეკო საქმე). კ-ებში სწავლება ფასიანია, განსაკუთრებით ძვირია კერძო კ-ებში სწავლება.

კოლვიცი (Kollwitz, ნამდვ. გვარი შმიდტი, Schmidt) კეთე (8. VII. 1867, კენიგსბერგი, ახლანდ. კალინინგრადი, სსრკ,— 22. IV. 1945, მორიცბურგი, საქსონია), გერმანელი გრაფიკოსი და მოქანდაკე. სწავლობდა ბერლინში (1885—86) და მიუნხენში (1888—89). 1919—33 იყო ბერლინის სამხატვრო აკად. პროფესორი, საიდანაც ფაშისტებმა გააძევეს. 1927 იყო სსრკ-ში. კ-ის შემოქმედება ევრ. რეგ. რეალისტური ხელოვნ. ერთ-ერთი მწვერვალია; გრაფ. ნამუშევრებს ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი და დრამ დაძაბულობა. სერიები: „ფეიერების აჯანყება" (1897—98), „გლეხთა ომი" (1903—08), „ომი" (1922—23); ლითოგრაფიების ციკლი „შიმშილი" 1924; გრავიურების ციკლი ხეზე „ომი" (1922—23), „პროლეტარიატი" (1925). კ-ის შემოქმედება რამდენადმე უახლოვდება ექსპრესიონიზმს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა როგორც მოქანდაკე.

ლიტ. Раздольская В., Кольвиц. М., 1960

კოლიგრაები (Trochili), ფრინველების ქვერიგი *ნამგალასნაირთა* რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 5,7—21,6 *სმ*, მასა 1,6—20 *გ* აღწევს. შეფერილობა ნაირგვარია და მკვეთრი ლითონისებრი ელვარება დაკრავს. აქვს გრძელი, წვრილი და სწორი ნისკარტი, ზოგჯერ ქვემოთკენ მოხრილი; მეტად სუსტი, სასიარულოდ გამოუსადეგარი ფეხები, სხეულთან შეფარდებით დიდი გული, რ-იც წუთში 1000-მდე იკუმშება. კ. შესანიშნავად ფრენენ და შეუძლიათ ჰაერში ერთ ადგილზე ლივლივი. გადამფრენებია. ღამით, გარემოს ტემპ-რის დაცემისას, სხეულის ტემპ-რაც ეცემა 14,5—21°C-მდე. კ უფრო ყვავილების ნექტარით იკვებებიან, პატარა მწერებს და ობობებსაც ჭამენ. დედალი ბუდეს ამაგრებს ტოტებზე, ფოთლებზე, კლდეზე. დებს 2 კვერცხს. საინკუბაციო პერიოდი 14—19 დღე გრძელდება, იჩეკებიან ტიტველი თვალაუხილავი და უსუსური ბარტყები. კ-ის ქვერიგში 1 ოჯახის 319 სახეობაა. გავრცელებული არიან დას. ნახევარსფეროში — უმთავრესად ტროპ. ნაწილში, თუმცა ზოგიერთი სახეობა საკმაოდ შორსაც ვრცელდება როგორც ჩრდ-ით, ისე სამხრ-ით. *მ. კუტუბიძე.*

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 497.

კოლიზიუმი, იხ. *კოლოსეუმი.*

კოლიზია, მხატვრული ნაწარმოების მოქმედ ძალთა შეჯახება, ბრძოლა, წინააღმდეგობრიობა. ტერმ. კ. ესთეტიკაში ჰეგელმა შემოიღო და კონფლიქტის ბადლად იხმარება, მაგრამ, ჰეგელის გააზრებისაგან განსხვავებით, კ. მეტ მასშტაბურობას, უნივერსალობას გულისხმობს; კ. იაზრება როგორც შინაგანი სტრუქტურის მომენტი იგი უფრო ხერხია, ვიდრე მხატვრული გამოსახვის საგანი.

კოლიზიური ნორმა (საერთაშ. სამართ.), იურიდიული ნორმა, რ-იც უცხოური ელემენტის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალზე მიუთითებს კ. ნ. სახელმწიფოს საერთაშ კერძო სამართლის ნორმაა. შედგება 2 ნაწილისაგან: მოცულობა, რ-იც აღნიშნავს, თუ სახელდობრ რა ურთიერთობის, როგორი საკითხის გადასაწყვეტად გამოიყენება ეს კ. ნ., და საბამი ანუ მიმაგრების ფორმულა, რ-ითაც მოცულობა უკავშირდება („მიებმება") რომელიმე ეროვნ. კანონმდებლობას. მაგ. საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდექსის მ. 576 შეიცავს კ. ნ-ს: „მემკვიდრეობის ურთიერთობანი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი" კ. ნ-ის მიმაგრების ტიპური ფორმულებია: 1. პიროვნული კანონი (lex personalis), რ-იც განსაზღვრავს უმთავრესად პირის სტატუსს (ქმედობაუნარიანობა და სხვ.), მისი ქორწინება-განქორწინების საკითხებს, მისი მოძრავი ქონების მემკვიდრეობას და სხვ.; 2. იურიდ. პირის ნაციონალობის კანონი (lex societatis), რ-ითაც წყდება საკითხები — არის თუ არა ეს ორგანიზაცია იურიდ. პირი, როგორია მისი უფლებაუნარიანობა და ა. შ.; 3. ნივთის ადგილსამყოფელის კანონი (lex rei sitae), რ-საც იყენებენ იმის გადასაწყვეტად, არის თუ არა ეს ნივთი საკუთრების ან სხვა სანივთო უფლების ობიექტი და სხვ.; 4. გარიგების დამდებთა მიერ არჩეული კანონი (lex voluntatis); 5. აქტის ადგილის კანონი (lex loci actus); მისი სახეებია: გარიგების დადების ადგილის კანონი (lex loci contractus), და ვალდებულების შესრულების ადგილის კანონი (lex loci solutionis); 6. სამართალდარღვევის ადგილის კანონი (lex loci delicti commissi); 7. სასამართლოს ქვეყნის

კანონი (lex fori): 8. გამყიდველის ქვეყნის კანონი (lex venditoris); 9. ვალის ვალუტის კანონი (lex monetae, lex pecuniae). *ბ. ფვანია.*

კოლიზიური სამართალი, სახელმწიფოს *კოლიზიური ნორმების* ერთობლიობა. *საერთაშორისო კერძო სამართლის* ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (ზოგ ქვეყანაში მის სინონიმადაც იხმარება). სახელმწიფო კ. ს-ს იმიტომ ქმნის, რომ: 1. სამოქალაქო-სამართ. ურთიერთობანი ხშირად დაკავშირებულია უცხო სახელმწიფოსთან, ე. ი. შეიცავს უცხოურ ელემენტს (როცა ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხოელია, როცა ურთიერთობის საგანი უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის სფეროშია, როცა ურთიერთობის წარმომშობი იურიდ. ფაქტი უცხო სახელმწიფოში მოხდა); 2. ასეთ ურთიერთობათა მოწესრიგება შეუძლებელია ეროვნ. კანონმდებლობათა მატერ. ნორმებით, რადგან სხვადასხვა სახელმწიფოს ასეთ ნორმებს შორის არსებითი განსხვავება (კოლიზია) არსებობს; 3. ასეთ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის აუცილებელი ნორმების საყოველთაო უნიფიკაცია საერთაშ. შეთანხმებით არ მომხდარა და ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ეროვნ. კანონმდებლობათა შორის არსებითი განსხვავების გამო. კ. ს-ის საერთაშ. კოდიფიკაციის ცდები ძირითადად უშედეგო გამოდგა. გამონაკლისია ზოგიერთი საერთაშ. აქტი, რ-იც კ. ს-ის მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხო და მონაწილეთა რაოდენობით შეზღუდულია (მაგ., *პუსტამანტის კოდექსი*).

კ. ს-ის წყაროა სახელმწიფოს კანონმდებლობა (სამოქალაქო, საოჯახო, სავაჭრო და სხვ.), სახელმწიფოს მიერ სამართლის წყაროდ აღიარებული სასამართლო პრაქტიკა, საერთაშ. ხელშეკრულებები და საერთაშ. ჩვეულებები, რ-ებსაც იგი ცნობს. საბჭ. კ. ს. შეესაბამება თანამედროვე საერთაშ. სამართლის ძირითად საწყისებს, ემსახურება სსრკ-ის ეკონ. თანამშრომლობას უცხო სახელმწიფოებთან და საბჭ. მოქალაქეების კანონიერი ქონებრივი ინტერესების დაცვას. *ბ. ფვანია.*

კოლიმა, მდინარე ციმბირის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, რსფსრ იაკუტ. ასსრ-სა და მაგადანის ოლქში. სიგრძე 2129 *კმ,* აუზის ფართ. 643 ათ. *კმ*^{2} წარმოიქმნება მდ-ების კულუსა და აიან-იურიახის შეერთებით, რ-თაც სათავეები აქვთ ხალკანის ქედზე. ზემოთში მიედინება ვიწრო, ღრმა და ჭორომიან ხეობაში, ქვემოთში — კოლიმის დაბლობზე. უერთდება აღმ. ციმბ. ზღვას და ქმნის დელტას. კ-ის დიდი შენაკადებია: მარცხ. — პოპოვკა, იასაჩნაია, ოჟოგინა, სედედემა, მარჯვ. — ბერიოზოვკა, ომოლონი, ანიუი. კ. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის მაის-სექტ-ში, წყლის საშ. ხარჯი შესართავიდან 641 *კმ*-ზე 2250 *მ*^{3}/*წმ,* მაქს. — 25100 *მ*^{3}/*წმ,* მინ. 23,5 *მ*^{3}/*წმ.* იყინება სექტ.-ოქტ-ში, ყინულძვრა მაის-ივნისშია. სანაოსნოა მდ. ბახაფჩის შესართავიდან. თევზჭერა. კ-ის აუზში არის ოქროს საბადოები. მთავარი ნავსადგურებია: უსტ-სრედნეკანი, ზირიანკა, ჩერსკი, ზელიონი-მისი, კრაი-ლესოვი.

კოლიმატორი [<collimo, სწორი ლათ. სიტყვის colineo (მივმართავ წრფის გასწვრივ) დამახინჯება], 1. ოპტიკურ ხელსაწყოებში — პარალელურ სხივთა კონის მისაღები ოპტიკური მოწყობილობა; შედგება ობიექტივის ან ჩაზნექილი სარკისაგან, რ-ის ფოკალურ სიბრტყეში მოთავსებულია განათებული სხეული.

2. რადიოლოგიურ ხელსაწყოებში — მოწყობილობა, რ-იც საშუალებას გვაძლევს გამოსხივების საერთო ნაკადიდან გამოვყოთ მისი გარკვეული ნაწილი.

კოლიმის დაბლობი, დაბლობი ვაკე იაკუტ. ასსრ ჩრდ.-დას. ნაწილში, მდ-ების ალაზეის, დიდი ჩუკოჩიის აუზებსა და მდ. კოლიმის ქვემო დინების მარცხენანაპირეთში. გადაჭიმულია 750 *კმ*-ზე აღმ. ციმბ. ზღვიდან ჩერსკის მთებამდე მდ. კოლიმის გასწვრივ. სიმაღლე 100—300 *მ.* აგებულია ტბიური, მდინარეული თიხნარითა და ქვიშნარით. ჰავა სუბარქტიკულია. ბევრია ტბა და ჭაობი. ჩრდ-ით ბუჩქოვან-ბალახოვანი ტუნდრაა, სამხრ-ით — დაჭაობებული ლარიქსის მეჩხერი ტყეები.

კოლიმის მთიანეთი, კ ო ლ ი მ ი ს ქ ე დ ი, გ ი დ ა ნ ი, მთიანეთი სსრკ აზიური ნაწილის ჩრდ.-აღმ. მხარეში, რსფსრ მაგადანის ოლქში. შედგება ქედების, პლატოებისა და სერებისაგან. გადაჭიმულია მდ-ების ოლისა და ბუიუნდის სათავეებიდან ჩრდ.-აღმ-ით მდ. ანადირის სათავეებისაკენ 1300 *კმ*-ზე. კ. მ-ის დას. ნაწილი აგებულია ალევროლითებითა და პერმული, ტრიასული და იურული ქვიშაქვებით; აღმ. ნაწილში ჭარბობს ეფუზიური ქანები. კ. მ. მდიდარია წიაღისეულით (ოქრო, კალა, იშვიათი ლითონები, ქვანახშირი, მურა ნახშირი, თერმული წყაროები) ჰავა მეტად კონტინენტურია. ივლ. საშ. ტემპ-რა 8—10°C, იანვ. —40°C. კ. მ-ის ტერიტ. 2/3 მთის ტუნდრას უჭირავს. ხეობების ფერდობებზე 500—800 *მ*-მდე ლარიქსის მეჩხერი ტყეებია.

კოლინეარული ვექტორები [ლათ. con (cum) — ერთად და linea—წირი], ერთ წრფეზე ან პარალელურ წრფეებზე მდებარე ვექტორები. იხ. *ვექტორული აღრიცხვა.*

კოლინზი (Collins) მაიკლ (დ. 31. X. 1930, რომი), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საჰაერო ძალების პოლკოვნიკი. 1952 დაამთავრა აშშ-ის სამხ. აკადემია. კოსმონავტთა ჯგუფშია 1963-იდან. ჯ. *იანგთან* ერთად 1966 წ. 18—21 ივლ. იფრინა კოსმოსში კოსმ. ხომალდ „ჯემინი-10-ით", ორჯერ გამოვიდა ღია კოსმოსში. 1969 წ. 16—24 ივლ. მონაწილეობდა კოსმ. ხომალდ „აპოლონ-11-ის" ისტორიულ ფრენაში, რ-ის დროსაც ნ. *არმსტრონგი* და ე. *ოლდრინი* პირველნი გადავიდნენ მთვარეზე. 19—22 ივლ. იფრინა სელენოცენტრულ ორბიტაზე, მოახდინა მთვარის ნაკვეთურის განპირაპირება (მთვარეზე დასაშვებად) და ხელახალი შეპირაპირება ხომალდთან. მისი სახელი ჰქვია მთვარის უკანა მხარის კრატერს.

კოლინზი (Collins) ტომ [ნამდვ. სახელი და გვარი ჯოზეფ ფ ე რ ფ ი, Furphey) (26. IX. 1843, იერინგი, ვიქტორიას შტ.,— 13. IX. 1912, კლერმონტი, ავსტრალია), ავსტრალიელი მწერალი. პუბლიც. ფილოს. რომანით „ასეთია ცხოვრება" (1903), პოლიტ. ლირიკით „პრეზიდენტ ლინკოლნის სიკვდილი" (1867) და მოთხრობებით ხელი შეუწყო ავსტრალ. ლიტ-რაში რეალიზმის დამკვიდრებას. კ-ის რომანში „რიგბის სიყვარული" (1905) თვალსაჩინოა მწერლის დემოკრ. განწყობილებანი.

კოლინზი (Collins) უილიამ უილკი (8. I. 1824, ლონდონი,—23. IX. 1889, იქვე). ინგლისელი მწერალი. პირველი ესეი „უილიამ კოლინზის ცხოვრება" გამოაქვეყნა 1848, პირველი რომანი „ანტონინა ანუ რომის დაცემა" — 1850. სიცოცხლეშივე დიდი პოპულარობა მოიპოვა რომანებით „ქალი თეთრებში" (1860), „არმადეილი" (1866), „მთვარის ქვა" (1868), „ახალი მაგდალინა" (1873) და სხვ. კ. თხრობისა და დაძაბული სიტუაციების დიდოსტატია, ოუმცა გვერდს უვლის სოც. პრობლემებს და არც ნაწარმოების სტილს აქცევს დიდ ყურადღებას. მისმა რომანებმა ხელი შეუწყო დეტექტიური ჟანრის განვითარებას. წერდა პიესებსაც.

კოლინი (Coligny) გასპარ დე შ ა ტ ი ო ნ ი (16. II. 1519, შატიონ-სიურ-ლუენი, — 24. VIII. 1572, პარიზი), ფრანგი ადმირალი (1552-იდან), მონაწილეობდა *იტალიურ ომებში* (1494—1559). სენ-კანტენის ბრძოლაში (1557) ესპანელებმა დაატყვევეს და გენტში გადაიყვანეს. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ჰუგენოტებს მიემხრო და პრინც კონდეს სიკვდილის შემდეგ მათი ბელადი გახდა (1569). მოხსნა იყო რელიგ. შემწყნარებლობისა და კულტმსახურების თავისუფლებისა. ხელი შეუწყო ჰუგენოტებისათვის სასარგებლო სენ-ჟერმენის ზავის (1570) დადებას. მეფე შარლ IX-ისგან აქტ. საგარეო პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა (კოლონ. დაპყრობებს ამერიკაში, ომს კათოლ. ესპანეთთან და სხვ.) მოკლეს *ბართლომეს ღამეს.*

კოლინჯი, ბრმა და სწორ ნაწლავებს შორის ჩართული მსხვილი ნაწლავის მონაკვეთი. შედგება ასწვრივი, განივი, დასწვრივი და სიგმოიდური კ-გან. ასწვრივი კ. მარჯვ. თეძოს ფოსოდან ზეევით მიემართება, აღწევს მარჯვ. ფერდქვეშა მიდამოს, მოიდრეკება მარცხნივ (კ-ის მარჯვ. ნაკეცი) და გადადის თითქმის ჰორიზონტალურად მდებარე ჯორჯლიან (მოძრავ) განივ კ-ში. ეს უკანასკნელი მარცხ. ფერდქვეშა მიდამოში ქმნის კ-ის მარცხ. ნაკეცს, საიდანაც იწყება დასწვრივი კ., რ-იც მარცხ. თეძოს ფოსოს აღწევს. აქედან მისი გაგრძელებაა სიგმოიდური კ., რ-საც განიერი და გრძელი ჯორჯალი აქვს. *ვ. აბაშიძე.*

მ. კოლინზი.

კოლის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული სსრკ ევრ. ნაწილის უკიდურეს ჩრდ.-დას.-ში, რსფსრ მურმანსკის ოლქში. ჩრდ-ით აკრავს ბარენცის ზღვა, სამხრ. და აღმ-ით—თეთრი ზღვა, დას. საზღვრად მიღებულია მერიდიანული ქვაბული, რ-იც გადაჭიმულია კოლის ყურიდან კოლისა და ნივის ხეობების გასწვრივ კანდალაქშის ყურემდე. ფართ. დაახლ. 100 ათ. *კმ*^{2}. ჩრდ. ნაპირი მაღალია, ფლატოვანი, სამხრ.— დაბალი, დამრეცი. კ. ნ-ის დას. ნაწილში აღმართულია ხიბინისა და ლოვოზეროს ტუნდრის მასივები (სიმაღლე 1120 *მ*-მდე), ცენტრ. ნაწილში კეივის წყალგამყოფი სერია (სიმაღლე 397 *მ*-მდე). კ. ნ. ბალტიის ფარის ჩრდ.-აღმ. ნაწილია. აგებულია კამბრიულისწინა და ქვედაპალეოზოური კრისტ. ქანებით. მდიდარია წიაღისეულით. აქ არის აპატიტების, ნიკლის, თიხამიწის ნედლეულის, რკინის მადნის, ქარსის, ტიტან-მაგნეტიტისა და სხვ. საბადოები. მიუხედავად მისი ჩრდილოეთი მდებარეობისა ჰავა გოლფსტრიმის თბილი დინების გავლენით შედარებით თბილია. იანვ. საშ. ტემპ-რა ჩრდ-ით —8°C, ცენტრ. ნაწილში —13°C, ივლ. შესაბამისად, 8 და 14°C. ბევრია ჭორომიანი მდინარე (პონოი, ვარზუგა, უმბა, ტერიბერკა და სხვ.), ტბა (იმანდრა, უმბოზერო, ლოვოზერო და სხვ.). ჩრდ-ით ტუნდრის მცენარეულობაა, სამხრ-ით — ტყეტუნდრა და ტაიგა. მთავარი ქალაქია მურმანსკი.

კოლიტი (<ბერძნ. kolon—მსხვილი ნაწლავი), მსხვილი ნაწლავის ანთება, კუჭ-



კოლინჯი: 1—ჭია ნაწლავი; 2—ბრმა ნაწლავი; 3—თეძოს ნაწლავი (ბოლო); 4—ასწვრივი კოლინჯი; 5—კოლინჯის მარჯვენა ნაკეცი; 6—განივი კოლინჯი; 7—დიდი ბადექონი; 8—კოლინჯის ციცხვები; 9—კოლინჯის მარცხენა ნაკეცი; 10 — კოლინჯის ზონარი; 11 — წვრილი ნაწლავის ჯორჯლის ფესვი, 12—დასწვრივი კოლინჯი, 13—ბადექონის დანამატები; 14—სიგმოიდური კოლინჯი.

ნაწლავის ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება. ჰ-ის მიზეზი შეიძლება იყოს ინფექცია (დიზენტერიის ჩხირი, სალმონელები, ამებები, ბალანტიდიები და სხვ.), კვების უხეში დარღვევა, ინტოქსიკაცია, შეიძლება გამოიწვიოს ურეგულირებულმა თვითმოწამვლამ ან განვითარდეს როგორც ავტოიმუნური დაავადება (მაგ., არასპეც. წყლულოვანი ჰ.). ზოგჯერ მეორეული ჰ-ის მიზეზია კუჭსა და წვრილ ნაწლავში საჭმლის მონელების დარღვევა (აქილიური გასტრიტის, პანკრეატიტის, გასტროენტერიტის დროს). განარჩევენ მწვავე და ქრონ. ჰ-ს. მწვავე ჰ-ის დროს აღინიშნება საერთო სისუსტე, უმადობა, სპაზმური ტკივილი მუცლის ღრუში და კუჭის აშლილობა, ზოგჯერ, განსაკუთრებით დიზენტერიის დროს — *ტენეზმები*. მწვავე ინფექციური ჰ-ის დროს შეიძლება მოიმატოს ტემპ-რამ. განავალი ჩვეულებრივ ფაფისებრია, აქვს ლორწოს, მძიმე შემთხვევებში კი სისხლის მინარევი. არანამკურნალები მწვავე ჰ. შეიძლება ქრონ. ჰ-ად იქცეს. ქრონ. ჰ-ს ახასიათებს უმადობა, გულისრევა, საერთო სისუსტე, ყრუ სპაზმური ტკივილები მუცლის არეში, შეკრულობა ან ფაღარათი, მუცლის შებერვა, ყურყური და აირების წარმოქმნა. სპაზმური ჰ-ის დროს განავალი ცხვრის კურკლს წააგავს. მუცელი შებერილია, გასინჯვისას — მტკივნეული. ჰ-ის დიაგნოზს ადგენენ რენტგენოლოგიურად, რექტოროომანოსკოპიით და განავლის ლაბორ. გამოკვლევით.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა—სათანადო დიეტა; ინფექციური ჰ-ის დროს ანტიმიკრობული, ანტიპარაზიტული და ნაწლავის ფლორის მომწესრიგებელი პრეპარატები. სწორი და სიგმოიდური ნაწლავის ანთებისას— ოყნა. სპაზმების დროს სპაზმოლიზური და ქოლინოლიზური საშუალებანი. ქრონ. ჰ-ის შემთხვევაში — ფიზიოთერაპია (სითბური პროცედურები) და სანატ.-კურორტული მკურნალობა (*ბორჯომი, ესენტუკი, ფელეზნოვოდსკი, პიატიგორსკი* და სხვ.). ზოგჯერ, მძიმე წყლულოვანი ჰ-ის დროს, ქირურგ. მკურნალობა.

პ რ ო ფ ი ლ ა ქ ტ ი კ ა: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებათა დროული მკურნალობა, კვების სწორი ორგანიზაცია.

ლიტ.: Меньшиков Ф. К., Болезни кишечника, М., 1962.

კოლიუბაკინი ნიკოლოზ პეტრეს ძე (1810—1868), რუსი სამხედრო ადმინისტრატორი კავკასიაში, გენერალ-მაიორი (1857). 1834 სამხ. დისციპლინის დარღვევისათვის ოფიცრობიდან ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს და საქართველოში გაგზავნეს. 1837 ოფიცრობა დაიბრუნა. 1845 დაინიშნა ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსად, 1850—ქუთ. ვიცე-გუბერნატორად, 1851—54 იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზის III განყ-ბის უფროსი, 1857 — ქუთ. სამხ. გუბერნატორი. 1857 — სამეგრელოს მმართველი. 1858 ერევნის, 1861 — ისევ ქუთ. სამხ. გუბერნატორი და ჯარების სარდალი. 1863 სენატორად დაინიშნა და კავკასიიდან გაემგზავრა. აქვს რამდენიმე ნაშრომი, მ. შ. საქართველოს შესახებ.

თხზ.: По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии, «Чтения в Обществе истории и древностей Российских», 1865, кн. 1; Письма к князю В. О. Бебутову («Из дневника»), «Русская старина», 1876, кн. 17.

„კოლმეურნე“, პროფკავშირულ-კოოპერაციული ნებაყოფლობითი სასოფლო სპორტული საზოგადოება საქ. სსრ-ში. დაარსდა 1930. აერთიანებს სოფ. მეურნ., მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, დამზადების სამინისტროების, სასოფლო ტექ. და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, სოფლის მშრომელებსა და მათი ოჯახის წევრებს, სასოფლო უმაღლესი და საშუალო სპეც. სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს. საზ-ბის წევრები გაერთიანებული არიან 1367 სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივში. 1979 წ. 1 იანვრისათვის საზ-ბაში იყო 272521 წევრი, მ. შ. 8 სსრკ სპორტის დამს. ოსტატი, 10 სსრკ საერთაშ. კლასის სპორტ. ოსტატი და 251 სსრკ სპორტის ოსტატი. საზ-ბის განკარგულებაშია 21 სტადიონი, 529 ფეხბურთის, 255 კალათბურთის, 656 ფრენბურთისა და 112 ხელბურთის მოედანი, 5 ჩოგბურთის კორტი, 5 საცურაო აუზი, 37 სპორტული დარბაზი, 9 სასროლო ტირი, 9 საცხენოსნო იპოდრომი სპორტ. ცხენებიანად.

„ჰ-ში“ აღიზარდნენ: *რ. ტურუა, მ. ხერგიანი*, გ. გიორგაძე, გ. ონაშვილი, გ. ყურაშვილი და სხვ. *ნ. სომხიშვილი.*

კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა (1930-მდე — *გლეხი ახალგაზრდობის სკოლა*), არასრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რ-იც იქმნებოდა სსრკ-ში სოფლად 1923-იდან I საფეხურის (1—4 კლასები) სკოლების ბაზაზე; შედიოდნენ 12—18 წლის ასაკის მოზარდები. 1934 ჰ. ა. ს. არასრულ სამ. 7-წლიან სკოლებად გადაკეთდა.

კოლმეურნეთა ავანსირება, შრომის ანაზღაურებისათვის კოლმეურნეობის შემოსავლიდან გამოყოფილი სახსრების ნაწილობრივი განაწილების ფორმა. იყენებდნენ სსრკ-ში კოლ-ბათა შექმნის დროიდან შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურების შემოღებამდე (1966—68). საბოლოო ანგარიშსწორება კოლმეურნეებთან ხდებოდა წლის ბოლოს, მათი საქმიანობის შედეგების მიხედვით. ჯერ მარცვლისა და ფულის (ტექ. კულტურების მოვლა-მოყვანისათვის), ხოლო კოლ-ბის ეკონ. განმტკიცების შემდეგ ყველა შრომადღის ფულადი ავანსების გაცემით. შრომის ყოველთვიური გარანტირებული ანაზღაურების შემოღების შემდეგ ჰ. ა-მ დაკარგა მნიშვნელობა.

კოლმეურნეთა მატერიალური სტიმულირება, იხ. *შრომის ანაზღაურების ფორმა კოლმეურნეობაში.*

კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობები, დ ა მ კ ვ ი ლ უ რ კ ო ლ მ ე ურ ნ ე თ ა I ყ რ ი ლ ო ბ ა, შედგა 1934 წ. 15—19 თებ. მოსკოვში, დაესწრო 1513 დელეგატი 1,5 ათ. კოლ-ბიდან. II ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა 1935 წ. 11—17 თებ. მოსკოვში, დაესწრო 1433 დელეგატი ყველა ოლქისა და რესპ. კოლ-ბებიდან. ამ ყრილობამ მიიღო სას.-სამ. არტელის სამაგალითო წესდება. III ყ რ ი ლ ო ბ ა შედგა 1969 წ. 25—27 ნოემბ. მოსკოვში, დაესწრო 4521 დელეგატი. მიიღეს კოლ-ბის ახ. სანიმუშო წესდება.

კოლმეურნეობა, კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი მ ე ურ ნ ე ო ბ ა, მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთობლივად გაძღოლის მიზნით საზოგადოებრივი წარმოების საშუალებებისა და კოლექტიური შრომის საფუძველზე ნებაყოფლობით გაერთიანებული გლეხების კოოპერაციული ორგანიზაცია (იხ. *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*). ჰ-ები შეიქმნა ვ. ი. ლენინის კოოპ. გეგმის შესაბამისად. ჰ-ები და საბჭ. მეურნეობები ხელს უწყობენ სოფლად საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას. ჰ. კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის. „საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. ეს არის ვ. ი. ლენინის მიერ დასახული, ისტორიულად შემოწმებული გლეხობის თავისებურებათა შესაბამისი გზა მისი თანდათანობით გადასვლისა კომუნიზმზე“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1971, გვ. 111). პოლიტ. თვალსაზრისით საკოლმ. წყობილებამ ჯანმტკიცა საბჭ. ხელისუფლება და მისი ძირითადი საფუძველი — მუშათა და გლეხთა კავშირი, უზრუნველყო საზ. წარმოებაში და საერთო სახელმწ. საქმეების მართვაში გლეხობის მონაწილეობის რეალური პირობები; ეკონ. თვალსაზრისით სოციალიზმისა და კომუნიზმის სამსახურში ჩააყენა მსხვილი წარმოების უპირატესობანი, შექმნა თანამედროვე ინდუსტრ. საფუძველზე მეურნ. განვითარების შესაძლებლობანი; სოც. თვალსაზრისით მშრომელი გლეხობა იხსნა ექსპლუატაციისა და სიღუხჭირისაგან, ხელი შეუწყო სოფლად ახ. საზ. ურთიერთობათა სისტემის დამკვიდრებას.

ჰ-ის ძირითადი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს და განაკითაროს საზ. მეურნეობა, განუხრელად აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და საზ. წარმოების ეფექტურობა; საკოლმ. წარმოების ინტენსიფიკაციისა და შემდგომი ტექ. ხელახალი შეიარაღების, კომპლ. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დანერგვის, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის ფართოდ განხორციელების გზით გაადიდოს სოფ. მეურნ. პროდუქციის წარმოება და იგი სახელმწიფოს მიჰყიდოს მეტი რაოდენობით; პარტ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობით იმუშაოს კოლმეურნეთა კომუნისტური აღზრდის, საზ. საქმიანობაში მათი ჩაბმის, სოციალ. შეჯიბრების განვითარებისათვის; უფრო სრულად დააკმაყოფილოს კოლმეურნეთა მზარდი მატერ. და კულტ. მოთხოვნილებები, თანდათანობით გარდაქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დაბებად. ჰ. ხელმძღვანელობს კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ მიღებული ჰ-ის წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით.

ჰ-ის წევრი შეიძლება იყოს მოქალაქე, რ-საც 16 წელი შეუსრულდა და გამოთქვა სურვილი თავისი შრომით მიიღოს მონაწილეობა ჰ-ის საზ. მეურნეობაში. გლეხს ჰ-ის წევრად იღებს კოლმეურნეთა საერთო კრება ჰ-ის გამგეობის წარდგინებით და იმ პირის თანდასწრებით, ვინც განცხადება შეიტანა. განცხადებას ჰ-ის წევრად მიღების შესახებ ჰ-ის გამგეობა განიხილავს ერთი თვის ვადაში. ჰ-ის წევრს უფლება აქვს ჰ-ის საზ. მეურნეობაში მიიღოს სამუშაო გარანტირებული ანაზღაურებით, მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად; მონაწილეობდეს ჰ-ის საქმეთა მართვაში, აირჩიოს და არჩეულ იქნეს მართვის ორგანოებში; შეჰქონდეს წინადადებანი ჰ-ის საქმიანობის გაუმჯობესების, გამგეობისა და თანამდებობის პირთა მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად: იღებდეს ჰ-გან დახმარებას საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალიზაციისათვის. სარგებლობდეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ჰ-ის საძოვრებით, საზ. მუშა პირუტყვითა და ტრანსპორტით ჰ-ში დადგენილი წესის მიხედვით და ა. შ. ჰ-ის წევრი ვალდებულია: იცავდეს ჰ-ის წესდებასა და შინაგანაწესს, ასრულებდეს საერთო კრებების დადგენილებებსა და ჰ-ის გამგეობის გადაწყვეტილებებს; კეთილსინდისიერად შრომობდეს საზ. მეურნეობაში, იცავდეს შრომის დისციპლინას, ეუფლებოდეს მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს; უფრთხილდებოდეს, იცავდეს და განამტკიცებდეს სახელმწ. და საკოლმ. საკუთრებას, არ დაუშვას უყაირათობა და საზ. დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, რაციონალურად და სწორად გამოიყენოს საზ. სარგებლობისა და საკარმიდამო ფონდის მიწები. ჰ-იდან დროებით წასული პირები ჰ-ის წევრებად რჩებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადიან ნამდვილ ვადიან საბჭ. სამსახურს, არჩეული არიან არჩევით თანამდებობაზე, საბჭ. საზ. და კოოპ. ორგანიზაციებში, სწავლობენ წარმოებისაგან მოწყვეტით, იგზავნებიან სამუშაოდ კოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციებში, მიდიან სამუშაოდ მრეწველობაში ან საბ. მეურნ. სხვა დარგებში ჰ-ის გამგეობის მიერ დადგენილი ვადით. ჰ-ის წევრებად რჩებიან აგრეთვე კოლმეურნენი, რ-ებიც აღარ მუშაობენ მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო, იმ შემთხვევაში თუ ისინი კვლავ ჰ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

კ-ის წევრობიდან გარიცხვა დასაშვებია როგორც უკიდურესი ღონისძიება იმ პირთა მიმართ, რ-ებიც სისტემატურად არღვევენ შრომის დისციპლინას ან კ-ის წესდებას მას შემდეგაც, რაც მათ მიმართ გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის სასჯელი (გაკიცხვა, საყვედური, სასტიკი საყვედური, ნაკლები ანაზღაურების სამუშაოზე გადაყვანა, თანამდებობიდან განთავისუფლება, გაფრთხილება კ-ის წევრობიდან გარიცხვის შესახებ).

კ. სოციალ. სას.-სამ. საწარმოა, სადაც საწარმოო-საფინანსო საქმიანობა სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპით ხორციელდება. შრომის რესურსებისა და ნედლეულის ადგილ. წყაროების უფრო სრული და თანაბარზომიერი გამოყენების, საზ. მეურნ. შემოსავლიანობის გადიდების მიზნით კ. სას.-სამ. წარმოებისათვის ზარალის მოუყენებლად ქმნის და ავითარებს დამხმარე საწარმოებსა და სარეწებს. მსხვილი სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით იქმნება კოლმეურნეობათშორისი საწარმოო და აგროსამრეწვ. გაერთიანებანი.

სოფ. მეურნეობაში წარმოების ერთ-ერთ საშუალებას მიწა წარმოადგენს, მიწა სახელმწ. საკუთრებაა და არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. კ-ს მიწა უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში გადაეცემა. კ-თა მიწათსარგებლობის შემცირება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში კოლმეურნეთა საერთო კრების თანხმობით, შესაბამისი სახელმწ. ორგანოების გადაწყვეტილებით. კ-ზე მიმაგრებული მიწის მასივის ძირითადი ნაწილი საზ. სარგებლობის ფართობს წარმოადგენს. ამას გარდა, კოლმლის დამხმარე მეურნეობისათვის გამოიყოფა 1.საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. კ-ის კუთვნილი საწარმოები, შენობები, ნაგებობანი, ტრაქტორები, კომბაინები და სხვ. მანქანები, მოწყობილობები. ნარგავები, სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობანი, წარმოებული პროდუქცია, ფულადი სახსრები და კ-ის სხვა ქონება სოციალ. საკუთრებაა. კოლმეურნეობათშორისი და სხვა სახელმწ.-საკოლმ. ორგანიზაციებისა და საწარმოების ქონება და საშუალებანი, ძირითადი და საბრუნავი ფონდები წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად კ-ში განუყოფელია და მათ მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით იყენებენ. კ-ში ყველა სამუშაო კოლმეურნეთა პირადი შრომით სრულდება. გამონაკლისია ზოგიერთი შემთხვევა, როცა სას.-სამ. ან სხვა სამუშაოები კოლმეურნეთა ძალებით საჭირო ვადებში ვერ სრულდება, ან არ არის სათანადო კადრები.

შემოსავლის განაწილება ექვემდებარება დაჯროვებისა და მოხმარების სწორი შეხამების, საწარმოო, სადაზღვევო და კულტ.-საყოფაცხოვრებო საზ. ფონდების მუდმივი ზრდის, კოლმეურნეთა ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესებს. კ-ის მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქციიდან ხდება მის წარმოებაზე გაწეული მატერ. დანახარჯის ანაზღაურება. მიღებული საერთო შემოსავლის ხარჯზე კ. ქმნის შრომის ანაზღაურების ფონდს. წმინდა შემოსავალი გამოიყენება ფულადი სახელმწ. გადასახადებისა და ფულადი გადასახდელების შესატანად, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გასადიდებლად, კულტსაყოფაცხოვრებო, კოლმეურნეთა სოც. უზრუნველყოფისა და მატერ. დახმარების ფონდების შექმნის, კოლმეურნეთა და სპეციალისტთა მატერ. წახალისებისა და სხვა მიზნით. ნატურალური პროდუქციიდან კ. ქმნის სათესლე ფონდს, ასრულებს სახელმწიფოსათვის სოფ. მეურნ. პროდუქტების მიყიდვის გეგმას, ქმნის ნატურალურ ფონდს კოლმეურნეებზე გასაცემად ან მისაყიდად შრომის ანაზღაურების მიზნით. შესაძლებლობის შემთხვევაში გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდის პროდუქციას; გამოჰყოფს საკვებს საზ. პირუტყვისათვის, აგრეთვე კოლმეურნეებზე გასაცემად ან მისაყიდად; ქმნის სადაზღვევო და გარდამავალ სათესლე, საფურაჟე და სასურსათო ფონდებს. გამოჰყოფს საზ. კვების პროდუქტებს საბავშვო დაწესებულებათა შესანახად, აგრეთვე პენსიონერების, ინვალიდებისა და იმ წევრებისათვის დახმარების გასაწევად, რ-ებსაც ეს ესაჭიროებათ; დანარჩენ პროდუქციას კ. მიჰყიდის სამომხმარებლო კოოპერაციას, გაიტანს საკოლმ. ბაზარზე სარეალიზაციოდ ან სხვა საჭიროებისათვის გამოიყენებს.

საზ. წარმოებაში მუშაობისათვის კ-ში 1966-იდან შემოღებულია კოლწევრთა შრომის გარანტირებული და დამატებითი ანაზღაურება, აგრეთვე კოლწევრების შრომის მატერ. სტიმულირების სხვა სახეები. შრომის მიხედვით ფულადი ანგარიშსწორება ხდება თვეში ერთხელ, ხოლო ნატურალური პროდუქცია (სურსათი და საკვები) გაიცემა მისი შემოსავლის კვალობაზე. შრომის საზღაური გაიცემა თითოეული კოლმეურნის მიერ საზ. მეურნეობაში გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

კ-ში იყენებენ შრომის სანარდო, აკორდულ, დროით, დროით-პრემიალურ და შრომის საზღაურის გაცემის სხვა სისტემებს. კ-ის წევრებს პენსია ენიშნებათ მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენლის დაკარგვის გამო. ქალები იღებენ აგრეთვე დახმარებას ორსულობისა და მშობიარობის გამო, საგზურებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში და ა. შ. კოლმეურნეთა სოცუზრუნველყოფა და სოცდაზღვევა ცენტრალიზებული ფონდებიდან ხორციელდება.

კ-ის მართვის ორგანიზაციის მთელი სისტემის საფუძველია საკოლმ. დემოკრატია. კ-ის წევრთა საერთო (მსხვილ მეურნეობებში რწმუნებულთა) კრება კ-ის მართვის უმაღლესი ორგანოა, ყოველდღიური საწარმოო საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის ირჩევენ კ-ის გამგეობას, რ-საც კ-ის თავ-რე მეთაურობს, ხოლო გამგეობისა და თანამდებობის პირთა სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის კონტროლისათვის — სარევიზიო კომისიას.

სოფ. მეურნ. გეგმური ხელმძღვანელობა ხორციელდება ცენტრალიზებული დაგეგმვისა და ცალკეულ სას.-სამ. საწარმოთა ინიციატივის სწორი შეთანაწყობის საფუძველზე. კ. თვითონ გეგმავს საზ. წარმოებას, სას.-სამ. პროდუქტების შესყიდვის სახელმწ. გეგმის შესრულებისა და მიწის რაციონალური გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე. სახელმწიფო ამარაგებს კ-ს თანამედროვე ტექნიკით, სასუქებით და სხვ. მატერ. რესურსებით, რაც სოფ. მეურნ. ტექ. შეიარაღებისა და სიუჯეტის ზრდის ძირითადი პირობაა. კ-ის საერთო ხელმძღვანელობას სსრკ-ში ახორციელებს საკავშ. სოფ. მეურნ. სამინისტრო, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში — მისი დაქვემდებარების ადგილ. ორგანოები.

კ. სარგებლობს იურიდ. პირის უფლებით, აქვს ბეჭედი და დროშა.

კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებები, კოლმეურნეობათაშორისი საწარმოების მმართველობის ფორმა, რ-იც უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის მასშტაბით. შექმნილია მრავალი რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო გაერთიანება. 1979 წ. 1 იანვ-თვის სსრკ-ში იყო 530 საოლქო, სამხარეო და რესპ. კ. ბ., მ. შ. რსფსრ-ში 184, უკრ. სსრ-ში 236 და ბელორ. სსრ-ში—15, უზბ. სსრ-ში — 28, საქ. სსრ-ში — 10 და ა. შ.; ამ გაერთიანებებში შედიოდა 1101 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო, სამშენებლო სამმართველო, მოძრავი მექანიზებული კოლონა, 515 მსხვილი სამშენებლო მასალის საწარმო, 108 საპროექტო ინ-ტი და კანტორა, 181 მატერ.-ტექ. მომარაგების კანტორა და ა. შ.; შექმნილია აგრეთვე პირუტყვის გამოკვების, სოფ. მეურნ. პროდუქტების გადამუშავების საწარმოთა კ. ბ.; კ. ბ-ს აქვს ადმ. მმართველობის ფუნქციები, სამეურნეო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს დაქვემდებარებულ გაერთიანებათა საწარმოო და ფინანს. საქმიანობას და სხვ. ასეთი ტიპის გაერთიანებები იქმნება ევრ. რიგ სოციალ. ქვეყნებში (ბულგ. სრ., გდრ, უნგრ. სრ, ჩეხოსლ. სრ).

კოლმეურნეობათაშორისი სადაზღვევო ფონდი, იხ. *საკოლმეურნეო ფონდები.*

კოლმეურნეობათაშორისი საკუთრება, სოციალისტური საკუთრების (საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების) ნაირსახეობა, რ-იც წარმოიშვა საკოლმეურნეო წარმოების განსაზოგადოების საფუძველზე. განასხვავებენ კოლმეურნეობათაშორისი წარმოების ორგანიზაციულ-სამართ. კავშირურთიერთობათა შემდეგ ფორმებს: მუდმივმოქმედი კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციები და საწარმოები, რ-ებსაც სათავეში უდგანან კოლმეურნეობათაშორისი საბჭოები და წარმოადგენენ იურიდ. პირებს (სამშენებლო საწარმოები, მეფრინველეობის ფ-კები და ფერმები და ა. შ.); საერთო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი კოლმეურნეობათაშორისი ობიექტები, რ-თაც არა აქვთ იურიდ. პირის უფლება; რესპ., საოლქო, სამხარეო კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებები; კოლმეურნეობათაშორისი ფონდები. კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების, საწარმოების და გაერთიანებების ქონება, რ-იც კოლმეურნეობათა წილად შენატანებისაგან შედგება, წარმოადგენს კოლ-ების საზ. საკუთრებას. კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების საკუთრებაში შედის აგრეთვე მათ მიერ აგებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, საავადმყოფოები და სხვ. კ. ს. თავისი განსაზოგადოების დონით ხელს უწყობს კოოპ.-საკოლმეურნეო საკუთრების საერთო-სახ. საკუთრებასთან მიახლოებას, რის საწინდარსაც წარმოადგენს სკკპ ცკ-ის დადგენილება „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ" (გაზ. „კომუნისტი", 1976 წ. 2 იან.). *ნ. წერეთელი.*

კოლმეურნეობათაშორისი საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, შექმნილი კოლმეურნეობათა ჯგუფის მიერ შრომითი, მატერიალური და ფინანს. რესურსების უკეთ გამოყენების მიზნით. კ. ს-ის საქმიანობა ემყარება კოოპერაციის მონაწილეთა ნებაყოფლობით და სრულ იურიდ. და მეურნეობრივი დამოუკიდებლობის პრინციპს (იხ. *კოლმეურნეობათაშორისი საკუთრება*). კ. ს. მასობრივად გავრცელდა 50-იანი წლების დასასრულს. განასხვავებენ სამშენებლო, სამშენებლო მასალათა (აგურის ქ-ნები, ქვის კარიერები, კრამიტის მწარმოებელი სახელოსნოები და ა. შ.) მწარმოებელ, პირუტყვის გამოკვების, სოფ. მეურნ. პროდუქციის გადამუშავებისა და სხვა სახის კ. ს-ს. 1979 წ. 1 იანვ-თვის სსრკ-ში მოქმედებდა 8906 კ. ს. ამავე პერიოდში საქ. სსრ-ში 286 კ. ს. იყო. რესპ. სპეციფ. პირობები გაელენას ახდენს კ. ს-ის ტიპზე. მაგ., საქ. სსრ-ში შეიქმნა სატყეო მეურნეობები, დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, მოხუცებულთა პანსიონატები და ა. შ.

კ. ს-ის საშუალებები იქმნება კოლ-ბა-მეპაიების შენატანით, რ-ის სიდიდე კოლმეურნეობათაშორისი კოოპერაციის მონაწილეთათვის განსხვავებულია. კოლ-ბათა მიწის ფართობის, მათთვის შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის, საერთო

ა. კოლმოგოროვი.

„კოლოკოლი".

და წმინდა შემოსავლიდან განსაზღვრული პროცენტების დარიცხვის მიხედვით და ა. შ. ჰ. ს-ის სახსრების შევსების ძირითადი წყაროა მოგების ანარიცხები. ჰ. ს-ის მეურნეობრივ საქმიანობას ხელმძღვანელობს საწარმოს საბჭო, რ-საც ირჩევს რწმუნებულთა კრება. საბჭო ამტკიცებს ჰ. ს-ის მუდმივ მომუშავეთა შტატს. ჰ. ს-ის შრომის ანაზღაურების წესს, რ-იც მოქმედი ანალოგიური სახელმწიფოებრივი საწარმოების შესაბამისი უნდა იყოს, ამტკიცებს რწმუნებულთა კრება, დროებითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო კოლმეურნეებს გამოყოფენ მეპაიე კოლ-ბები. ჰ. ს. მუშაობს პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების საფუძველზე. ეს გეგმები ორგანულად არის დაკავშირებული ჰ. ს-ში მონაწილე მეურნეობათა გეგმებთან.

ჰ. ს-ის საქმიანობა შეიძლება შეწყვეტილ იქნეს მეპაიე კოლ-ბების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რ-საც ამტკიცებს რაისაბჭოს აღმასკომი. საწარმოს ლიკვიდაციის მომენტისათვის არსებული თანხა ნაწილდება კოლ-ბებს შორის (მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად). ჰ. ს-ის საქმიანობა ეკონომიკურად ეფექტურია. ჰ. ს. და ორგანიზაციები იქმნება არა მხოლოდ წარმოების სფეროში, არამედ კულტურის, ყოფისა და ჯანმრთელობის სფეროშიც, ჰ. ს-ის მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისთვის, აგრეთვე კოლმეურნეობათაშორისი საწარმოო კავშირების გასაფართოებლად იქმნება *კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებები.*

კოლმეურნეობათაშორისი ფონდები, რამდენიმე კოლმეურნეობის ფულადი ან ნატურალური საშუალების ნებაყოფლობითი გაერთიანება წილობრივი მონაწილეობის საწყისებზე კოლმეურნეობათაშორისი წარმოების ორგანიზაციისათვის. ჰ. ფ-ის მთავარი წყაროა მეპაიე კოლ-ბათა წილობრივი შენატანი, ხოლო ერთ-ერთი სპეციფ. ფორმა — სადაზღვეო ფონდი, რ-იც იქმნება და ივსება კოლ-ბათა მიერ ნატურალური შემოსავლის შენატანით, რათა დახმარება გაუწიონ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ კოლ-ბებს.

ჰ. ფ-ის ფორმირებისა და გამოყენების საკითხები წყდება კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და საწარმოების (სამშენებლო, პირუტყვის სუქების, სოფ. მეურნ. პროდუქტების გადამმუშ. საწარმოები) სანიმუშო დებულებათა საფუძველზე. კოლ-ბათა საპაიო შენატანი (კოლმეურნეობათაშორისი საკუთრების სპეციფიკის მიხედვით), როგორც კოოპერაციული საკუთრება, არ ნაწილდება მეპაიეებს შორის და გამოიყენება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით. ჰ. ფ-ის წყაროა აგრეთვე გაერთიანების საკუთარი კაპიტ. დაბანდებანი. ჰ. ფ-ის შექმნასა და განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს სახელმწიფოებრივი დაკრედიტება.

კოლმეურნეობის დახმარების ფონდი, *იხ. საკოლმეურნეო ფონდები.*

კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი, წარმოების პროცესში კოლმეურნეთა შრომით ახლად შექმნილი ღირებულება, ანუ მთლიანი პროდუქციის ნაწილი ფულადი გამოსახულებით; მიიღება მთლიანი პროდუქციისაგან მატერ. დანახარჯების გამოკლებით. მისი სიდიდე დამოკიდებულია მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე, სარეალიზაციო ფასებსა და პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მატერ. დანახარჯის სიდიდეზე. ჰ. ს. ფ-ის ერთი ნაწილი იხარჯება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაზე, მეორე ნაწილი კი კოლ-ბის წმინდა შემოსავალია.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდება, ნორმატიული აქტი, რ-იც აწესრიგებს კოლმეურნეობათა საქმიანობის ძირითად საკითხებს. მიიღო კოლმეურნეთა III სრულიად საკავშ. ყრილობამ, დამტკიცებულია სკკპ ცკ-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1969 წ. 28 ნოემბ. დადგენილებით. წესდებაში ასახულია ის დიდი სოც.-ეკონ. გარდაქმნები, რ-იც მოხდა საბჭ. სოფელში და ამასთან დაკავშირებით ცვლილებანი კოლ-ბათა სამართლებრივ მდგომარეობასა და საადგილმამულო, ქონებრივ, შრომითს თუ მართვა-გამგეობის ურთიერთობათა განვითარებაში. ჰ. ს. ფ-ით განსაზღვრულია კოლ-ბათა ამოცანები, დადგენილია მიწით სარგებლობის წესები, რეგლამენტირებულია საკოლმ. ქონების სამართ. რეჟიმი, შემოსავლის განაწილება, შრომის ძირითადი და დამატებითი ანაზღაურება. კოლ-ბის ორგანოთა შექმნა (მათი ფუნქციები), დადგენილია კოლ-ბის წევრად მიღების წესი და სხვ. წესდებაში განმტკიცებულია კოლწევრის უფლება-მოვალეობანი, გათვალისწინებულია სოციუზრუნველყოფის, დაზღვევის, კულტმომსახურების, საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობისა და მასზე დამხმარე მეურნეობის წარმოების უფლება და სხვ. ჰ. ს. ფ-ის შესაბამისად კოლ-ბები თავიანთი სპეციფიკის გათვალისწინებით იღებენ საკუთარ წესდებებს. იხ. აგრეთვე *საკოლმეურნეო სამართალი.*

წყარო. Собрание Постановлений Правительства СССР, 1969, № 26, с. 150.

კოლმეურნეობის სარეზიზიო ფონდი, *იხ. საკოლმეურნეო ფონდები.*

კოლმეურნის შრომის წიგნაკი, კოლმეურნის საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობისა და კოლმეურნეობის შემოსავლიდან მისი შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი წილის მიღების უფლების დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი, ჰ. შ. ფ. აქვს ყველა კოლწევრს.

კოლმოგოროვი ანდრია ნიკოლოზის ძე [დ. 12 (25). IV. 1903, ტამბოვი], საბჭ. მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), სოციალ. შრომის გმირი (1963). დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1925), 1931-იდან პროფესორია იქვე. შექმნა ფუნდამენტური შრომები ტრიგონომეტრიულ მწკრივთა თეორიაში, ზომის თეორიაში, სიმრავლეთა თეორიაში, ინტეგრალის თეორიაში, ფუნქციათა მიახლოების თეორიაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსტრ. ლოგიკის, ტოპოლოგიის, მექან., დიფერენც. განტოლებათა თეორიის, ფუნქციონალური ანალიზის საკითხების დამუშავებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ჰ-ის მიერ მიღებულ შედეგებს ალბათობის თეორიაში. ჰ-მა ამოხსნა რამდენიმე რთული პრობლემა ალბათობის თეორიაში, ააგო მისი აქსიომატიკა (1933). ჰ-მა განავითარა სტაციონარულ შემთხვევით პროცესთა თეორია და სტაციონარული ნაზრდის მქონე პროცესების თეორია. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინფორმაციის თეორიის განვითარებაში. ჰ. აქტიურად მონაწილეობს საშ. სკოლებსა და უნ-ტებში მათ. განათლების საკითხების დამუშავებაში.

ჰ. არის პარიზის მეცნ. აკად., ლონდონის სამეფო საზ-ბისა და სხვა საზღვარგარეთული აკადემიების წევრი. მიღებული აქვს ბალზანას საერთაშ. პრემია (1963), სახელმწ. პრემია (1941), ლენინური პრემია (1965). დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Основные понятия теории вероятностей, М.—Л., 1936.

ლიტ.: Александров П. С., Хинчин А. Я., А. Н. Колмогоров, «Успехи математических наук». 1953, т. 8, в. 3 (ახლავს ბიბლიოგრ.).

კოლობჟეგი (Kołobrzeg), ქალაქი და ნავსადგური ჩრდ.-დას. პოლონეთში, კოშალინის სავოევოდოში, ბალტიის ზღვის ნაპირზე. 36 ათ. მცხ. (1978). სარკინიგზო კვანძი. თევზჭერა და თევზის გადამუშავება. ჰ. ზღვისპირა კლიმ. კურორტია.

VII—VIII სს-ში ჰ-ის ადგილზე იყო დასახლება მარილიანი კუნძული. ბოლესლავ მამაცმა 1000 ჰ-ში დააარსა საეპისკოპოსო. XI ს-ში ჰ. პომორიეს ერთ-ერთი სამთავროს ცენტრი იყო. XII ს. დასაწყისში შედიოდა ბოლესლავ პირმრუდეს სამფლობელოში. 1255 მიიღო ქალაქის უფლება. XIV ს. დასაწყისში *ჯანზის* წევრია. შვიდწლიანი ომის (1756—63) დროს რუს. არმიამ 1761 მესამედ სცადა ჰ-ის ხელში ჩაგდება. 1761 წ. 8 (19) აგვ. გენ. პ. რუმიანცევის კორპუსმა (დაახლ. 22 ათ. კაცი, 7 ქვემეხი) აქტ. საბრძოლო მოქმედება დაიწყო ჰ-ის წინააღმდეგ. სახმელეთო ჯარებს მხარს უჭერდა ბალტიის ფლოტი (19 სახაზო ხომალდი, 2 ფრეგატი, 3 საბომბარდო ხომალდი, დაახლ. 7-ათასიანი დესანტი). რუმიანცევის ჯარებმა ხელთ იგდეს პრუსიელთა გამაგრებული ბანაკი (12 ათ. კაცი). უკუაგდეს პრუსიელთა საველე ჯარები (15—20 ათ.) და 3 (14) სექტ. ჰ-ს ალყა შემოარტყეს. 5 (16) დეკ. ჰ-ის გარნიზონი (4 ათ. კაცი, 140 ქვემეხი) დანებდა მოწინააღმდეგეს. დიდ სამამულო ომში (1941—45) *აღმოსავლეთ პომერანიის ოპერაციის* (1945) დროს ჰ-ს ალყა შემოარტყეს საბჭ. და პოლ. ჯარებმა. 18 მარტს იგი გაათავისუფლა ვოისკო პოლსკოეს 1-მა არმიამ.

კოლო დ'ერბუა (Collot d'Herbois) ჟან მარი (19. VI. 1749, პარიზი, — 8. VI. 1796, სინამარი), საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე. მსახიობი, დრამატურგი. კონვენტის დეპუტატი. 1793 წ. 6 სექტ-იდან *საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის* წევრი, სადაც თავდაპირველად მ. *რობესპიერს* უჭერდა მხარს. 1793 ბოლოს *ებერტისტებს* დაუახლოვდა. იყო *თერმიდორული გადატრიალების* (1794 ივლ.) ერთ-ერთი ორგანიზატორი, ე. წ. მემარცხენე თერმიდორელების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცდილობდა წინ აღდგომოდა კონტრრევ. ტერორის თარეშს. მემარჯვენე თერმიდორელებმა სასამართლოს გადასცეს, 1795 აპრ. კი გვიანაში გადაასახლეს (რაც სიკვდილით დასჯას ნიშნავდა).

კოლოდი (Collodi) კარლო (ნამდვ. გვარია ლორენციანი, Lorenzini) (24. XI. 1826, ფლორენცია, — 26. X. 1890, იქვე). იტალიელი მწერალი. მონაწილეობდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში; ჟურნალისტობდა. სახელი გაითქვა როგორც საბავშვო მწერალმა. მისი მოთხრ. „პინოკიოს თავგადასავალი..." (1880) მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნეს (ა. ტოლსტოიმ მის მოტივებზე დაწერა „ოქროს გასაღები"). მასში ჰ-მ შესანიშნავად გამოიყენა იტალ. ხალხ. ზღაპრული ელემენტები და მიუსადაგა რეალურ ცხოვრებას. მასვე ეკუთვნის საბავშვო მოთხრ. „ჯანეტინო" (1876) და სხვ.

კოლოიდები, *იხ. სტ. დისპერსიული სისტემები.*

კოლოიდური ქიმია, ფიზიკური ქიმიის დარგი, რ-იც შეისწავლის *დისპერსიულ სისტემებსა* და *ზედაპირულ მოვლენებს.* ჰ. ქ. როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება XIX ს. 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა. ჰ. ქ. შეისწავლის სხეულების მაღალდისპერსიული მდგომარეობით განპირობებულ თავისებურ პროცესებსა და მოვლენებს. ჰ. ქ-ის შესასწავლი საგნების თავისებურებამ განაპირობა კვლევის ისეთი სპეციფ. მეთოდების განვითარება, როგორიც არის ულტრაცენტრიფუგება, ულტრაფილტრაცია, დიალიზი და ელექტროდიალიზი, ელექტროოსმოსი და ელექტროფორეზი (*იხ. ელექტროკინეტიკური მოვლენები*), დაფრაქციებისა და დისპერსიული ანალიზის სხვადასხვა მეთოდი, ელექტრონული მიკროსკოპია, ნეფელომეტრია და სხვ.

თანამედროვე ჰ. ქ. მოიცავს: 1. მოლეკულურ-კინეტიკურ მოვლენებს (ბროუნის მოძრაობა, დიფუზია) დისპერსიულ სისტემებში; დისპერსიული სისტემების ჰიდროდინამიკას, დისპერსიულ ანალიზს. 2. ზედაპირულ მოვლენებს: *ადსორბციას* (თერმოდინამიკა და კინეტიკა), დასველე-

ბას, ადჰეზიას, ზედაპირულ-ქიმ. პროცესებს დისპერსიულ სისტემებში; ზედაპირული (ადსორბციული) ფენების აღნაგობასა და თვისებებს. 3. მეტასტაბილურ (ზენაჯერ) გარემოში ახ. (დისპერსიული) ფაზის წარმოქმნის თეორიას. დისპერსიული სისტემების წარმოქმნის კონდენსაციურ მეთოდებს. 4. კოლოიდურ-დისპერსიული სისტემების მდგრადობის, კოაგულაციისა და სტაბილიზაციის თეორიას, დისპერსიული ფაზის (მიცელების) ნაწილაკების აღნაგობას. 5. დისპერსიული სისტემების ფიზ.-ქიმ. მექანიკას, რ-იც მოიცავს მექან. დისპერსირების თეორიას, მყარი სხეულების სიმტკიცის ადსორბციული შემცირების მოვლენას, დისპერსიული სისტემების რეოლოგიას; დისპერსიულ სისტემებში სივრცითი სტრუქტურების წარმოქმნას და მექან. თვისებებს. 6. ელექტრულ და ელექტროკინეტიკურ მოვლენებს დისპერსიულ სისტემებში. 7. ოპტ. მოვლენებს დისპერსიულ სისტემებში (კოლოიდური ოპტიკა) — სინათლის განბნევა, სინათლის შთანთქმა; ფოტოგრ. პროცესების კ. ძ.

კ. ძ-მ მეცნ. საფუძველი ჩაუყარა დისპერსიული სისტემების მონაწილეობით მიმდინარე ტექნოლ. პროცესებს. მისი საშუალებით ხდება ნავთობის ემულსიების დაშლის რაციონალური გზების გამონახვა, სოფ. მეურნეობაში ფართოდ გამოყენებული პესტიციდური პრეპარატების დისპერსიული, ყველაზე ეფექტური ფორმების შექმნა; ზედაპირულად აქტ. ნივთიერებების გამოყენება გამრეცხი და გამწმენდი საშუალებების, ემულგატორების, ფლოტორეაგენტების (იხ. *ფლოტაცია*) და სხვ. დასამზადებლად. მეტეოროლოგია ატმ. ნალექების შესწავლისას ეყრდნობა მოძღვრებას აეროდისპერსიული სისტემების (აეროზოლების) შესახებ. ბიოქიმიასა და პოლიმერების ფიზიკა-ქიმიასთან ერთად კ. ძ. წარმოადგენს ბიოლ. სტრუქტურის, აგრეთვე სიცოცხლის წარმოქმნისა და განვითარების შესახებ მეცნიერების საფუძველს.

ლიტ.: Ребиндер П. А., Фигуровский Н. А., Коллоидная химия, წგნ.: Развитие физической химии в СССР, под ред. Я. И. Герасимова, М., 1967.

კოლოკვიუმი (ლათ. colloquium — საუბარი, ლაპარაკი), 1. გასაუბრება აბიტურიენტთან ან სტუდენტთან მათი ცოდნის შესამოწმებლად ან ასამაღლებლად. 2. სამეცნიერო კრებები, სადაც ისმენენ მოხსენებებს და იმართება მათზე მსჯელობა.

„კოლოკოლ“, პირველი რუსული რევოლუციური გაზეთი; გამოდიოდა 1857—65 ლონდონში, 1865—67 — ჟენევაში რუს. და ფრანგ. ენებზე, გამოსცემდნენ ა. *გერცენი* და ნ. *ოგარიოვი*. პირველ ხანებში „კ.“ „პოლიარნაია ზვეზდას“ დამატებით ფურცლად ითვლებოდა, მაგრამ მალე იგი სათავეში ჩაუდგა ცენზურაგაუვლელ საერთო დემოკრ. ბეჭდვით სიტყვას. „კ.“ მტკიცედ გაემიჯნა ლიბერალებს და მთლიანად რევ.-დემოკრ. პოზიციებზე დადგა. 1859—61 „კ-ის“ კორესპონდენტები იყვნენ ნ. დობროლიუბოვი, ნ. სერნო-სოლოვიოვიჩი, მ. მიხაილოვი, ი. აქსაკოვი, ი. სამარინი, ი. ტურგენევი, აგრეთვე გადასახლებიდან დაბრუნებული დეკაბრისტები. გაზეთს ჰქონდა დამატებები: „პოდ სუდი“ (1859—61) და „ობშჩეე ვეჩე“ (1862—64). 1867 არახელსაყრელი პირობების გამო „კ-ის“ გამოცემა შეწყდა. გამოცემის ტირაჟი იყო 2500 ც.

კოლომბი (Colombe) მიშელ [დაახლ. 1430, ბერი (?), — დაახლ. 1513, ტური (?)], ფრანგი მოქანდაკე. მუშაობდა ტურში და ნანტში. გოტიკის ტრადიციებისა და იტალ. აღორძინების ელემენტების (უმთავრესად ორნამენტის) საფუძველზე კ-მა საფუძველი ჩაუყარა ფრანგ. რენესანსულ ქანდაკებას. უმთავრესი ნამუშევრები: ჰერცოგ ფრანსუა II ბრეტონელისა და მარგარიტ დე ფუას საფლავის ძეგლი მათი პორტრეტული ფიგურებითა და 4 სიქველის სტატუეტით (ჟ. პერეალის ნახატის მიხედვით, მარმარილო, 1502—07, ტაძარი ნანტში), რელიეფი „წმ. გიორგი ამარცხებს გველეშაპს“ პეიზაჟური ფონით (მარმარილო. 1508—09, ლუვრი, პარიზი).

კოლომგო (სინგალური გამოთქმით — კ ა ლ ა მ ბ უ, ინგლ. და პორტუგ. Colombo), შრი-ლანკის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი ეკონ. და კულტ. ცენტრი. მდებარეობს კ. შრი-ლანკის დს. ნაპირზე, მდ. კელანის შესართავთან. ქვეყნის მთავარი ნავსადგური ინდ. ოკეანის მნიშვნელოვანი საზღვ. გზების გზაჯვარედინზე. ჰავა სუბეკვატორულია, მუსონური, ნოტიო. ნალექები 2400 *მმ* წელიწადში. ტემპ-რა წლის განმავლობაში თანაბარია. 27°C-მდე. 616 ათ. მცხ. (1978). ქალაქს მართავს არჩევითი მუნიციპალური საბჭო, რ-ის სათავეში დგას ქალაქის მერი.

შუა საუკუნეებში ქალაქი ცნობილი იყო კოლონტოტის სახელწოდებით და წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს ინდოეთის ოკ. აუზში. პორტუგალიელთა ბატონობის პერიოდში (XVI—XVII სს.) სამხ. ფორტად გადაიქცა. XVII ს-ში დაიპყრეს ჰოლანდიელებმა და გაამაგრეს. 1796 მიიტაცეს ინგლ. კოლონიზატორებმა. იყო ინგლ. კოლონია ცეილონის ადმ. ცენტრი. 1948-იდან ცეილონის სახელმწიფოს, 1972-იდან — შრი-ლანკის რესპუბლიკის დედაქალაქია.

კ-სა და მის გარეუბნებში თავმოყრილია ქვეყნის სამრეწვ. საწარმოთა 1/2-ზე მეტი, უმთავრესად კვების, გემთსარემონტო, კაუჩუკის გადასამუშ. საწარმოები. თესი. სსრკ-ის დახმარებით აშენდა სალტეების ქ-ნა, მეტალ. ქ-ნის საგლინი საამქრო, წისქვილი ელევატორით. კ. საავტ., სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლის კვანძია.

ფორტის რ-ნი — კ-ს საქმიანი ცენტრი — რეგულარულად არის დაგეგმარებული. აქ არის XIX ს. II ნახ.—XX ს. დასაწყ. ევრ. არქიტ. სტილის შენობები (მთავრობის დაწესებულებანი, მთავარი ფოსტა-ტელეგრაფი, ეროვნ. ბანკები). ფორტის სამხრ.-აღმ-ითაა მუნიციპალიტეტის შენობა, პარკი (I მსოფლიო ომის მსხვერპლთა მემორიალური სვეტი) და კათოლ. ეკლესიები; ფორტის აღმ-ით „ძველი ქალაქი“ პეტახი. ქალაქის ჩრდ. და აღმ. რ-ნებში ერთსართულიანი სახლებით განაშენიანებული ვიწრო ქუჩებია, აქვეა ბუდისტური ეკლესიები. ქალაქის ცენტრ. ნაწილში არის მდიდართა კერძო საცხოვრ. სახლები, ბაღები და სხვ.

კ-ში არის სახელმწ. უნ-ტი, ბუდისტური უნ-ტი ვიდიალანკარი, ტექ. კოლეჯი, ნატიფი ხელოვნ. კოლეჯი (ცეკვისა და მუს. განყ-ბით). სამეცნ. კვლევის სახელმწ. დეპარტამენტი, სამეცნ. და სამრეწვ. კვლევის ინ-ტი, სამედ. და სხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, საჯარო ბ-კა, კ-ს ეროვნ. მუზეუმი (ეთნოგრ., გეოლ., ზოოლ. კოლექციები) ბ-კით, მოცეკვავეთა დასი „ჩიტრასენა“ (დაარსდა 1944, აქვს სკოლაც).

კოლომბოს გეგმა, სამხრ. და სამხრ.-აღმ. აზიის ეკონომიკური განვითარების ერთობლივი გეგმა, რ-იც მიიღეს ინგლ. მთავრობის ინიციატივით მოცემულ რეგიონში II მსოფლიო ომის შედეგად შერყეული დიდი ბრიტანეთის პოზიციების განსამტკიცებლად. კ. გ. პირველად განიხილეს ბრიტ. ერთა თანამეგობრობის კონფერენციაზე ქ. კოლომბოში (ცეილონი, 1950). კონფერენციამ შექმნა საკონსულტაციო კომიტეტი, რ-შიც შევიდნენ დიდი ბრიტ., ავსტრ., ახალი ზელანდიის, კანადის, აგრეთვე ინდ., პაკისტ., ცეილონის და ინგლ. მაშინდელი კოლონ. ქვეყნების— მალაიზიის და ჩრდ. ბორნეოს წარმომადგენლები. კომიტეტის პირველ სხდომაზე, რ-იც 1950 წ. მაისში სიდნეიში (ავსტრალია) გაიმართა, მიიღეს გადაწყვეტილება 1952 წ. 1 ივლისიდან დაემუშავებინათ კომიტეტის წევრი-ქვეყნების ეკონ. განვითარების 6-წლიანი პროგრამები. 1950 საკონსულტაციო კომიტეტის ლონდონის სესიაზე აღნიშნული პროგრამები დაამტკიცეს კ. გ-ის სახელწოდებით. 1972-იდან კ. გ-ში მონაწილეობს ექვსი კრედიტორი ქვეყანა (ავსტრალია, ახ. ზელანდია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, კანადა) და 18 დებიტორი ქვეყანა [ავღანეთი, ბუტანი, ბირმა, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, კამპუჩია, ლაოსი, მალაიზია, მალდივის კუნძულები, ნეპალი, პაკისტანი, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები, შრი-ლანკა, სამხრ. კორეა, სამხრ. ვიეტნამი (1975 წლამდე)]. კ. გ-ის მართვის უმაღლესი ორგანოა საკონსულტაციო საბჭო, რ-ის სესიები ყოველწლიურად იმართება, აღმასრ. ორგანოა კ. გ-ის საბჭო-ბიურო.

კოლომენსკოე, სოფელი (1960-იდან ქ. მოსკ. ნაწილი), ყოფილი დიდმთავართა და სამეფო მამული, მდებარეობს მდ. მოსკ. მარჯვ. ამაღლებულ ნაპირზე. პირველად იხსენიება ივანე კალიტას ერთ-ერთ სიგელში 1339. აქ 1606 განლაგებული იყო ი. ბოლოტნიკოვის რაზმელთა ბანაკი. კ-ში 1662 მეფის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა მოსკ. 1662 აჯანყების მონაწილეებს. კ-ში არის რუს. ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ქვის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი პირველი კარვისებრი ნაგებობა — ამაღლების ეკლესია (1532, აგური, თეთრი ქვის დეტალებით, სიმაღლე 60 *მ*). მკაცრად ცენტრული, ძლიერ ზეაზიდული ნაგებობა დაგვირგვინებულია რვაწახნაგა კარვით. კომპლექსში შედის აგრეთვე იოანე წინასწარმეტყველის ხუთსვეტიანი ეკლესია (1547), წმ. გიორგის ტაძარ-სამრეკლო (XVI ს.), ყაზანის ეკლესია (1660-იანი წწ.). 2 ალაყაფის კარი (1670-იანი წწ.). 1667—71 ს. პეტროვმა და ი. მიხაილოვმა კ-ში ააგეს კვეთილი ორნამენტით შემკული ხის სასახლე (1681 ნაწილობრივ გადააკეთა ს. დემენტიევმა), რ-იც 1768 დაშალეს. 1971-იდან კ. მუზეუმ-ნაკრძალია, მასში შედის აგრეთვე დიაკოვოს ნაქალაქარი.

მ. კ ო ლ ო მ ბ ი. ალეგორიული სტატუეტი „ძალა“, ჰერცოგ ფრანსუა II ბრეტონელისა და მარგარიტ დე ფუას საფლავის ძეგლის ფრაგმენტი. 1502—1507. ნანტის ტაძარი.

კოლომია, ქალაქი უკრ. სსრ ივანო-ფრანკოვსკის ოლქში, მდ. პრუტის ნაპირზე. სარკინიგზო კვანძი. 51 ათ. მცხ. (1977). სას.-სამ. მანქანათა, ლითონის ნაკეთობათა ქ-ნები, მსუბუქი, კვების, ხის დასამუშ. მრეწვ. საწარმოები. საშენ მასალათა წარმოება, რკინიგზის ტრანსპ. მომსახურე საწარმოები. მერქნის მექან. დამუშავების ტექნიკუმი. პედ., სამედ. და ფარმაცევტული სასწავლებლები. სახ. ხელოვნ. მუზეუმი. მატიანეში მოხსენიებულია 1240-იდან.

კოლომიიკა, უკრაინული ხალხური სიმღერის ჟანრი, ორტაეპედი, რ-ის თითოეული ტაეპი 14-მარცვლოვანია (4-4-6, მუს. რიტმი 2/4). ჩაისახა XV—XVI სს-ში. განსაკუთრებით გავრცელებულია დს. უკრაინაში, იმიერკარპატეთსა და ბუკოვინაში. კ-ის თემატიკა მრავალფეროვანია, ასახავს საზ. თუ ოჯახური ყოფის სხვადასხვა მხარეს.

კოლომნა, ქალაქი რსფსრ მოსკოვის ოლქში, მდ-ების ოკისა და მოსკოვის შესართავთან. სამდ. ნავსადგური. რკინიგზის სადგური მოსკოვ—რიაზანის ხაზზე, მოსკოვიდან 115 *კმ*. 147 ათ. მცხ. (1979).

პირველად იხსენიება ლავრენტის მატიანეში 1177 წ. XII ს. ბოლოს გახდა სავაჭრო-სახელოსნო ქალაქი. 1301 შეუერთდა მოსკ. სამთავროს. XVII—XVIII სს-ში იყო სავაჭრო ცენტრი. 1903 კ-ში შეიქმნა რსდმპ (ბ) კოლომნის ორგანიზაცია. საბჭ.



კოლომენსკოე. ს ა ე ტ-რ ო ვ ი, ი. მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი, ს. დ ე მ ე ნ ტ ი ე ვ ი. სასახლე სოფ. კოლომენსკოეში. მოსკოვის მიდამოები. 1667—68, 1681. (არ შემონახულა. გადმოღებულია XVIII ს. გრავიურიდან).

კოლომნა. კრემლის საკრებულო მოედანი. XVII — XVIII სს. მარცხნივ—მიძინების ტაძარი (1672—82).

ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 26 ოქტ. (8 ნოემბ.).

კ. დიდი სამრეწვ., სამეცნ. და კულტ. ცენტრია. არის თბომავალთსაშენი, მძიმე ჩარხთსაშენი და საფეიქრო მანქანათაშ., ბაგირების, სალტეების სარემონტო, რეზინ.-ტექ. ნაკეთობათა ქ-ნები. ავეჯისა და სამკერვალო ფ-კები. განვითარებულია საშენ მასალათა და კვების მრეწველობა. არქიტ. ძეგლთაგან შემორჩენილია კრემლის (1525—31) აგურის ვედლების ნაწილი და 6 კოშკი, მიძინების ტაძარი (1672—82), არქიეპისკოპოსის ფსევდოგოთიკური სტილის სახლი (XVIII ს., არქიტ. მ. კაზაკოვი), სამრეკლო (1825), მაცხოვრის მონასტრის აღდგომის ეკლესია (XIV ს., გადაკეთებულია XVII—XVIII სს.), ნარიშკინის ბაროკოსა და კლასიციზმის სტილის ეკლესიები და საცხოვრ. სახლები. საბჭ. ხელისუფლების პერიოდში აშენდა საზ. შენობები (კულტ. სასახლე, პიონერთა სახლი და სხვ.), 2 საცხოვრ. მიკრორაიონი.

კ-ში არის თბომავლების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, პედინ-ტი, საკავშ. დაუსწრებელი პოლიტექ. ინ-ტის ფილიალი, მანქანათმშ. და სას.-სამ. ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კ. დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1977).

კოლომნის თბომავალმშენებელი ქარხანა ვ. კუიბიშევის სახელობისა, სსრკ სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი საწარმო. შეიქმნა 1863 ქ. კოლომნის მახლობლად. 1866-იდან ეწოდებოდა „ინჟინერი ძმების სტრუვეთა ქ-ნა“.

საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში მცირე რაოდენობით უშვებდა ორთქლმავლებს, ვაგონებს, ტრამვაებსა და დიზელებს, 1923-იდან ამზადებს ტრაქტორებს. 1930 დაიწყო თბომავლების, ხოლო 1932 ქ-ნა „დინამოსთან“ ერთად ვლ სერიის ელექტრომავლების გამოშვება. 1935 ქ-ნას ვ. კუიბიშევის სახელი მიენიჭა. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე უშვებდა ორთქლმავლებს, თბომავლებს, ელექტრომავლებს, დიზელებს და მისთ. ომის წლებში ქ-ნაში არემონტებდნენ ტანკებს, ამზადებდნენ საბრძოლო მასალას და სხვ. ომის შემდგომ წლებში ქ-ნა რეკონსტრუქციის შედეგად გაფართოვდა. სახ. მეურნ. სხვადასხვა დარგისათვის აითვისა მრავალი ახ. სახეობის პროდუქცია. კ. თ. ძ. დიდ როლს ასრულებს სსრკ ლოკომოტივმშენებლობისა და დიზელმშენებლობის განვითარებაში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1939), შრომის წითელი დროშის (1945) და ოქტ. რევ. ორდენით (1971).

კოლონა (Colonna) ვიტორია (1490, კასტელო-დი-მარინო, რომის ახლოს, — 25. II. 1547, რომი), იტალიელი პოეტი ქალი. მეუღლის, სახელოვანი მეომრის, მარკიზ პესკარას გარდაცვალების შემდეგ განმარტოებით ცხოვრობდა. კ-ს პოეზია ძირითადად დაკარგულ მიწიერ ბედნიერებას მისტირის, მასში ჩანს პოეტის ამაღლებული, პლატონური სიყვარული, თუმცა ლექსი ხელოვნურია, აკლია უშუალობა, გადატვირთულია ზედმეტი მსჯელობით. 1538 გამოქვეყნდა „ლექსები ღვთაებრივი ვიტორია კოლონასი“. მეგობრობდა მიქელანჯელოსთან, რ-საც უკვდავყო მისი სახელი თავის მრავალ სონეტში.

კოლონა (ფრანგ. colonne < columna), სვეტი, არქიტექტურულად დამუშავებული ვერტიკალური საყრდენი, წრიულ განივი კვეთით, ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის წამყვანი ელემენტი; ეკისრება ვერტიკალური დატვირთვის ზიდვის ფუნქცია. წარმოშვა უმარტივესი დგარულ-კოჭოვანი კონსტრუქციისაგან: ხის დგარი ან ქვის ბოძი, რ-საც ეყრდნობა გადახურვის კოჭი. ერთ-ერთი ელემენტია ტრადიციით განმტკიცებული არქიტექტურული კომპოზიციებისა, რ-საც *არქიტექტურული ორდერი* ეწოდება. კ-ის მთავარი ნაწილია — ტანი (ფუსტი), რ-იც ხშირად ეყრდნობა ბაზისს და დაგვირგვინებულია *კაპიტელით*. კ-ის მხატვრული გამომსახველობა, მონუმენტურობა დამოკიდებულია მის პროპორციებზე, დანაწევრებაზე, პლასტიკურ დამუშავებაზე, მისი სიმაღლისა და დიამეტრის შეფარდებაზე ინტერკოლუმენთან და ნაგებობის აბსოლუტურ ზომებთან. კ-ს იყენებდნენ ფასადის და ინტერიერის გასაფორმებლად როგორც ძვ. აღმ-ის, ისე ანტიკურ არქიტექტურაში; აგრეთვე კედლის ხუროთმოძღვრული დამუშავებისათვის (სამმუოთხედიანი კ., ნახევარკოლონა, *პილასტრი*, მიდგმული კ.). მოგვიანებით კ-ს ხმარობენ *თალის* და *კამარის* საყრდენადაც; ჩნდება ცალკე მდგომი კ., რ-იც ხშირად დაგვირგვინებულია ქანდაკებით, ან კ.-მემორიალი. კარკასულ შენობებში კ. ერთ-ერთი წამყვანი ელემენტია, რ-იც სხვა ელემენტებისაგან (კოჭი, რიგელი, ფერმა და სხვ.) იღებს დატვირთვას. ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრებაში კ. შედარებით ნაკლებად იხმარება. კ-ს ზოგჯერ არასწორად უწოდებენ სხვადასხვა კვეთის (კვადრატული, სწორკუთხა, ორტესებრი, ჯვარული და სხვ.) დგარებს.

კოლონადა (ფრანგ. colonnade), სვეტნარი, ჰორიზონტული, ბრტყელი ან კამარული გადახურვით გაერთიანებული კოლონების მწკრივი ან მწკრივები. ნაგებობის გარე კომპოზიციაში გამოიყენება პორტიკის და გალერეის სახით (ფასადზე მიდგმული ან როგორც მისი ცალკეული ნაწილების გამაერთიანებელი უშუალება), რაც შენობას ხედვითად უკავშირებს გარემოს. კ. გვხვდება როგორც დამოუკიდებელი, დეკორატული ნაგებობაც (ბაღ-პარკებში და სხვ.). შენობის შიგნით გარს უვლის დიდ დარბაზებს, ქმნის ვრცელ გამჭოლ სივრცეებს, ერთმანეთისაგან აცალკევებს და ამავე დროს აკავშირებს ინტერიერის ცალკეულ პარადულ ნაწილებს.

კოლონატი (გვიანდ. ლათ. colonatus< colonus — მიწათმოქმედი), რომის იმპერიაში მონათმფლობელური სისტემის კრიზისის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა, გარდამავალი მონათმფლობელობიდან ბატონყმობისაკენ. მონის შრომაზე დამყარებული მსხვილი ლატიფუნდიური მიწათმეურნეობა კრიზისმა მოიცვა. ამის მთავარი მიზეზი იყო მონის (ეკონომიკის მთავარი შემოქმედის) სრული დაუინტერესებლობა. მონური შრომა არარენტაბელური გახდა, ამიტომ მონათმფლობელებმა დაიწყეს თავიანთი ლატიფუნდიების დანაწევრება (პარცელები) და იჯარით გაცემა. მოიჯარადრეებს, რ-თაც დაერქვათ კოლონები, ევალებოდათ იჯარით აღებული მიწის დამუშავება. იჯარა ფულადი იყო, მაგრამ კოლონს ზოგიერთი ნატურალური გადასახადიც ჰქონდა დაკისრებული. კ. სამეურნეო ცხოვრებაში გამოკვეთილად ჩანს I ს-იდან. ამ პერიოდში გვხვდება კოლონთა 2 კატეგორია: ადგილ. გაღატაკებული სოფლელები და ქალაქის მცხოვრებნი, რ-ებიც იჯარით აღებულ მიწაზე ამუშავებდნენ თავიანთ მონებს. ამას გარდა მონათმფლობელებმა დაიწყეს მონების გადაყვანა პეკულიუმზე, ე. ი. მონაც იღებდა მიწის ნაკვეთს და მისგან ქონების შეძენის უფლებას. ახ. წ. II ს-იდან მკვეთრად შეიცვალა ურთიერთობა მიწათმფლობელებსა და კოლონს შორის; წვრილ მიწათმფლობელ-მონათმფლობელიდან კოლონი საბოლოოდ იქცა უშუალო მწარმოებლად, რ-მაც დაკარგა ეკონ. დამოუკიდებლობა, ხოლო მიწის მფლობელი პატრონი გახდა. IV—V სს-ში კ-ს ძალით ამკვიდრებენ იმპერიაში. კოლონებს იურიდიულად ამაგრებდნენ მიწაზე. იმპ. ანასტასიოსის (491—518)) კანონით, მიწათმოქმედი, რ-იც 30 წელი ამუშავებდა მიწას, მისი სოც.-ეკონ. მდგომარეობის მიუხედავად, კოლონი ხდებოდა და კარგავდა თავისუფალი ადამიანის უფლებებს (ქორწინების, მემკვიდრეობის, ადგილმდებარეობის შეცვლა და სხვ.).

კოლონები, წვრილი მოიჯარეები ძველ რომში, თავდაპირველად ყოველი მიწათმოქმედი, რ-იც თვითონ ამუშავებდა საკუთარ მიწის ნაკვეთს. შუა საუკუნეების დას. ევროპაში კ. ეწოდებოდა ფეოდ. დამოკიდებულებაში მყოფი გლეხების გარკვეულ კატეგორიას. იხ. აგრეთვე სტ. *კოლონატი*.

კოლონი (ბერძნ. kōlon — მთელის ნაწილი), ანტიკურ მეტრიკაში ეწოდებოდა 2 ან მეტი ტერფის გაერთიანებას (ქართ. ლექსთწყობაში იგი უდრის ე. წ. მუხლს. მაგ., „ბყო არაბეთს“... და მისთ.). პროზაულ მეტყველებაში კ. რიტმულ-ინტონაციური ერთეულია და ტექსტიდან გამოიყოფა მცირე პაუზებით. კ-ებად დაყოფა საგრძნობია ორატორულ მეტყველებაშიც, სადაც მას გამომსახველობითი ფუნქცია ენიჭება.

კოლონი (ესპ. colón, ქ. კოლუმბის პატივსაცემად), 1. ფულის ერთეული კოსტა-რიკაში, უდრის 100 სენტიმოს. შემოღებულია 1896-იდან. ოფიც. საპარიტეტო კურსით 1973 წ. 1 იანვრიდან 6,65 კ. შეადგენს აშშ-ის 1 დოლარს. 2. ფულის ერთეული სალვადორში, უდრის 100 სენტავოს. შემოღებულია 1919-იდან. საპარიტეტო კურსით 1973 წ. იანვრიდან 2,5 კ. აშშ-ის 1 დოლარს შეადგენს.

კოლონი (Colón), ქალაქი პანამაში. ნავსადგური კარიბის ზღვის მხრიდან პანამის არხში შესასვლელთან, მანსინილიოს ნ. კ-ზე. კოლონის პროვ. ადმ. ცენტრი. 68 ათ. მცხ. (1971). რკინიგზითა (მიემართება არხის გასწვრივ) და გზატკეცილით უკავშირდება ქ. პანამას. გააქვთ ბანანი. ნავთობგადამუშავება. დაარსდა 1850.

კოლონია მ. გორკის სახელობისა, აღმზრდელობითი დაწესებულება არასრულწლოვან დამნაშავეთათვის. 1920 ჩამოაყალიბა პოლტავის სახ. განათლების საგუბერნიო განყ-ბამ ქ. პოლტავასთან, 1926 გადაიტანეს ქ. ხარკოვის მახლობლად (კურიაჟში). 1920—28 ხელმძღვანელობდა ა. *მაკარენკო*. 1921 მიენიჭა მ. გორკის სახელი. 1923 იქცა უკრ. სსრ განათლების სახ. კომისარიატის საცდელ-საჩვენებელ საალმზრდელო დაწესებულებად. კოლონიის ისტორია ასახულია ა. მაკარენკოს წიგნში „პედაგოგიური პოემა“. 1936 კოლონია გადაეცა შრომით-გამასწორებელ დაწესებულებათა სისტემას.

კოლონია-დასახლება, საბჭ. კანონმდებლობით—შრომა-გასწორებითი კოლონიის განსაკუთრებული სახე. კ.-დ-ში მსჯავრდებულებს არ გზავნიან უშუალოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ; ამ კოლონიებში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაჰყავთ საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან ის მსჯავრდებულები, რ-ებიც მტკიცედ დადგნენ გამოსწორების გზას. მსჯავრდებულის გადაყვანა კ.-დ-ში შეიძლება, როდესაც ის მოიხდის დანიშნული სასჯელის ნახევარს მაინც (თუ კანონით იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს) ან სასჯელის 2/3-ს მაინც (თუ კანონით პირობით ვადამდე არ შეიძლება გათავისუფლდეს). კ.-დ-ში მყოფ პირთა იზოლაცია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სხვა შრომა-გასწორებით კოლონიებში: მსჯავრდებულნი თავისუფლად მიმოდიან კ.-დ-ის

მთელ ტერიტორიაზე (ადმ. ნებართვით ტერიტ. გარეთაც), უფლება აქვთ იცხოვრონ კ.-დ-ში ოჯახთან ერთად, იქონონონ პირადი მეურნეობა და ა. შ. (საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდექსი, მ. 27). კ.-დ-ის რეჟიმი უახლოვდება ნორმალური ცხოვრების პირობებს, რითაც ხელს უწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

თ. წერეთელი.

კოლონიალიზმი, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი დამონება იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ. კ-მა ფართო ხასიათი მიიღო მონოპ. კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა დასრულდა მსოფლიოს ტერიტ. დანაწილება და ჩამოყალიბდა იმპერიალიზმის კოლონ. სისტემა (იხ. აგრეთვე *კოლონიები და კოლონიური პოლიტიკა*).

კოლონიები და კოლონიური პოლიტიკა, კოლონიები თავდაპირველად წარმოადგენდნენ სავაჭრო, სამიწათმოქმედო, სამესაქონლეო და სამხედრო-სამიწათმოქმედო ტიპის დასახლებებს, რ-ებიც იქმნებოდა უმთავრესად ანტ. ეპოქაში რომელიმე ქვეყნის მცხოვრებთა მასობრივი მიგრაციის გზით, ძირითადად ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს კოლონიები, როგორც წესი, მეტროპოლიებისგან დამოუკიდებელი იყვნენ, ანდა მათი მოსახლეობა ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც მეტროპოლიებში. კაპიტალიზმის ხანაში ძველ კოლონიები ისეთი ქვეყნები და ტერიტორიებია, რ-ებიც უცხო სახელმწიფოების — მეტროპოლიების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, მოკლებული არიან პოლიტ. და ეკონ. დამოუკიდებლობას და რ-თა მართვა ხორციელდება სპეც. რეჟიმის საფუძველზე. მეტროპოლიები თავიანთ ბატონობას თავს ახვევენ „უცხო" ქვეყნებსა და ტერიტორიებს და ატარებენ კოლონ. პოლიტიკას, რ-იც, როგორც წესი, არის ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების, ხალხებისა და უპირატესად სხვა ეროვნების ხალხებით დასახლ. ტერიტორიების დამონებისა და ექსპლოატაციის პოლიტიკა სამხ.-პოლიტ. და ეკონ. ძალდატანების საშუალებით. კოლონ. პოლიტიკას ატარებენ მეტროპოლიების ექსპლოატატორული კლასები, რ-ებიც ამ პოლიტიკას იყენებენ საკუთარ ქვეყნებში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად.

თავისებურ კოლონ. პოლიტიკას ატარებდნენ ჯერ კიდევ რომი და სხვ. მონათმფლობელური სახელმწიფოები, რ-ებიც მიზნად ისახავდნენ დაპყრობილი ქვეყნების ძარცვასა და მონების ხელში ჩაგდებას. ფეოდალიზმის ეპოქაში XV ს-მდე კოლონ. პოლიტიკა არ იყო დიდად განვითარებული, რადგანაც ნატურალური მეურნეობა ვერ ქმნიდა საათანადო სავაჭრო-ეკონ. პირობებს. მნიშვნელოვანი მასშტაბის კოლონ. დაპყრობები დაიწყო ჯერ კიდევ კაპიტალის პირველადი დაგროვების ეპოქაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროს (XV ს. შუა წლები — XVII ს. შუა წლები).

პირველი კოლონ. იმპერიები — ესპანეთისა და პორტუგალიისა — შეიქმნა დიდი გეოგრ. აღმოჩენების კვალდაკვალ. XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისში, როგორც მსხვილი კოლონ. სახელმწიფო, დაწინაურდა ჰოლანდია, რ-მაც XVII ს. შუა წლებში დაიპყრო პორტუგ. კოლონიების უმრავლესობა აღმოსავლეთში. ნიდერლანდის კოლონ. ჰეგემონია დაამხო ინგლისმა ინგლის-ჰოლანდიის ომების (1652 — 54, 1665—67, 1672—74) შედეგად. XVI ს. ბოლოს და XVIII ს. დასაწყისში კოლონ. დაპყრობების გზას დაადგა საფრანგეთი. კაპიტალის პირველადი დაგროვების ეპოქაში კოლონ. პოლიტიკას ახორციელებდნენ სპეციალურად შექმნილი მსხვილი სავაჭრო კომპანიები. კოლონ. პოლიტიკა იყო უზარმაზარი მოგების წყარო, ამავე დროს ის ახდენდა სხვადასხვა სახის ზემოქმედებას მეტროპოლიებზე. იქ, სადაც ფეოდალიზმი ძლიერი იყო, კოლონ. პოლიტიკა ხელს უწყობდა ამ ქვეყნების განვითარების შეფერხებასა და დაცემას. კოლონიებიდან მიღებული უზარმაზარი სახსრები გროვდებოდა აბსოლ. მონარქების, ფეოდალებისა და ეკლესიის ხელში, ამტკიცებდა ფეოდალურ წყობილებას, ახდენდა მრეწვ. და სოფ. მეურნ. განვითარების სტიმულების პარალიზებას. იქ, სადაც კოლონ. პოლიტიკას ატარებდა ბურჟუაზია (დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია), ის აჩქარებდა კაპიტალ. ურთიერთობათა განვითარებას მეტროპოლიებში, ხელს უწყობდა იქ ვაჭრობისა და მრეწვ. აღმავლობას, დაპყრობილ ქვეყნებში კოლონ. პოლიტიკა იწვევდა საწარმოო ძალების ნგრევას, ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. განვითარების შეფერხებას, უზარმაზარი რ-ნების ძარცვასა და მთელი ხალხების ჟლეტას. ამ პერიოდში კოლონიების ექსპლოატაციაში მთავარ როლს თამაშობდა სამხ.-კონფისკაციების მეთოდები.

კოლონ. პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მანუფაქტურებიდან მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაზე კაპიტალიზმის გადასვლის შემდეგ. მოსახლეობის გადასახადებით დაბეგვრისა და პირდაპირი ძარცვის მეთოდებთან ერთად დიდი როლი მიენიჭა კოლონიების ექსპლოატაციას ვაჭრობის (არაეკვივალენტური გაცვლის) საშუალებით. კოლონიები ეკონომიკურად მჭიდროდ დაუკავშირდნენ მეტროპოლიებს, გახდნენ მათი აგრ.-სანედლეულო დანამატი, მონოკულტურის ქვეყნები. მეტროპოლიების სამრეწვ. პროდუქციის გასაღების ბაზარი და მათი მზარდი კაპიტალ. მრეწვ. ნედლეულის წყარო. კოლონიებიდან გაზიდულმა დიდძალმა სიმდიდრემ და მისმა გამოყენებამ დაჩქარა კაპიტალიზმის განვითარების პროცესი ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში. კაპიტალიზმის ეპოქის დაწყებასთან ერთად უდიდესი კოლონ. სახელმწიფო გახდა დიდი ბრიტანეთი, რ-მაც XVIII—XIX სს-ში ხანგრძლივ ბრძოლაში დაამარცხა საფრანგეთი და გაზარდა თავისი სამფლობელოები როგორც საფრ., ისე ჰოლანდ., ესპ. და პორტუგ. ხარჯზე. დიდმა ბრიტანეთმა დაიმორჩილა ინდოეთი, 1840—42 და 1856—60 ე. წ. ოპიუმის ომები ჰქონდა ჩინეთთან, ხელთ იგდო ჰონკონგი, შეეცადა დაეპყრო ავღანეთი, დაიპყრო საყრდენი პუნქტები სპარს. ყურეში, ადენი. კოლონ. ექსპანსიას ახორციელებდნენ სხვა ქვეყნებიც. საფრანგეთმა დაიპყრო ალჟირი (1830—48), ვიეტნამი (XIX ს. 50—60-იანი წწ.), დაამყარა თავისი პროტექტორატი კამბოჯაზე (1863), ლაოსზე (1893). რუს. ცარიზმის კოლონ. ექსპანსია ვრცელდებოდა უპირატესად სამხრ.-აღმ-ით და აღმ-ით. რუსეთმა თავის კოლონიებად აქცია შუა აზია და კავკასია. XIX ს. I ნახევარში კოლონიებისათვის ბრძოლაში ჩაება აშშ. მან გამოაცხადა *მონროს დოქტრინა* (1823). XIX ს. 40—50-იან წლებში აშშ-მა თავს მოახვია არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები ჩინეთსა და იაპონიას. კოლონ. დაპყრობების პოლიტიკა აწყდებოდა დიდ წინააღმდეგობას და იწვევდა მძლავრ ეროვნ.-განმათ. მოძრაობას კოლონ. და დამოკიდებულ ქვეყნებში.

XIX ს. 70-იან წლებში დაიწყო „თავისუფალი კონკურენციის" კაპიტალიზმის გადაზრდა იმპერიალიზმში, რ-იც XIX—XX სს. მიჯნაზე ჩამოყალიბდა. შეიქმნა იმპერიალიზმის კოლონ. სისტემა — მსოფლიო კაპიტალ. მეურნ. აგრ. სანედლეულო დანამატად ქცეული აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. სუსტად განვითარებული ქვეყნების პოლიტ. დამორჩილების, ეკონ. ექსპლოატაციისა და იდეოლოგიური დათრგუნვის სისტემა. ამ პერიოდში კოლონ. დაპყრობებმა ფართო მასშტაბი მიიღო. 1876—1914 დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო ტერიტორიები, რ-თა ფართობი იყო 9 მლნ. *კმ*². მოსახლეობა კი — 146,6 მლნ. მცხოვრები. საფრანგეთის დიერ დაპყრობილი ქვეყნების ფართობი 9,7 მლნ. *კმ*²-ს, მოსახლ. კი 49 მლნ. მცხოვრებს შეადგენდა. გერმანიამ ხელთ იგდო ტერიტორიები 2,9 მლნ. *კმ*² ფართობითა და 12,3 მლნ. მცხოვრებით, აშშ-მა — 0,3 მლნ. *კმ*² ფართობითა და 9,7 მლნ. მცხოვრებით, იაპონიამ —0,3 მლნ. *კმ*² ფართობითა და 19,2 მლნ. მცხოვრებით. მისი მსხვერპლი გახდა თითქმის მთელი აფრიკის კონტინენტი. დედამიწაზე მანამდე არსებული ყველა „თავისუფალი ტერიტორია" იმპერიალ. სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ მოექცა. იმპერიალიზმის პერიოდისათვის, —წერდა ვ. ი. ლენინი,— «...დამახასიათებელი ნიშანია დედამიწის საბოლოო განაწილება, საბოლოო არა იმ აზრით, რომ შეუძლებელი იყოს გადანაწილება,—პირიქით, გადანაწილება შესაძლებელია და აუცილებელიც, — არამედ იმ აზრით, რომ კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურმა პოლიტიკამ დაამთავრა თავისუფალი მიწების დატაცება ჩვენს პლანეტაზე. მსოფლიო პირველად აღმოჩნდა უკვე განაწილებული, ასე, რომ მომავალში რჩება მხოლოდ გადანაწილებანი, ე. ი. ერთი „მფლობელისაგან" მეორის ხელში გადასვლა და არა უპატრონობიდან „პატრონის" ხელში» (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 319). იმპერიალიზმის კოლონ. სისტემისათვის კოლონ. დამონების მთავარი ფორმაა მეტროპოლიის უშუალო სამხ.-პოლიტ. ბატონობა ჩაგრულ ქვეყანაზე და ხალხებზე. დას. ევროპის იმპერიალ. ქვეყნების, აგრეთვე აშშ-ის და იაპ. კოლონ. იმპერიებმა შექმნეს კოლონ. სისტემის საფუძველი. გარდა კოლონიებისა, კოლონ. იმპერიებში შედიოდა აგრეთვე *პროტექტორატები* და *დომინიონები* (დიდი ბრიტანეთი). მრავალი ქვეყანა იქცა ნახევრადკოლონიად, რ-თაც ფორმალურად პოლიტ. დამოუკიდებლობა ჰქონდათ, ფაქტობრივად კი დამოკიდებულ ქვეყნებს წარმოადგენდნენ. I მსოფლიო ომის (1914—18) წინ ჩინეთი, ირანი, თურქეთი, ავღანეთი, სიამი და ლაო. ამერ. მრავალი ქვეყანა ნახევრადკოლონ. მდგომარეობაში იყო. 1914 კოლონიებზე და ნახევრადკოლონიებზე მოდიოდა დედამიწის ტერიტორიების 66,8% და მოსახლ. 60%. მონოპ. კაპიტალიზმის ეპოქაში კოლონიები და დამოკიდებული ქვეყნები, რ-ებსაც არ დაკარგეს მეტროპოლიების სამრეწვ. პროდუქციის გასაღების ბაზრის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, იქცეოდნენ კაპიტალის დაბანდების სფეროებად. მათში კაპიტალის ექსპორტს განაპირობებს როგორც კაპიტალის სიჭარბე მეტროპოლიებში (რ-იც ვერ პოულობს „საკმარისად" დიდმომგებიან გამოყენებას), ისე იაფი მიწა, ნედლეული და განსაკუთრებით იაფი მუშახელი დაკაბალებულ ქვეყნებში. კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნებიდან მიღებულ ზემოგებებს იმპერიალ. მონოპოლიები იყენებენ მზარდი სახელმწ. აპარატისა და მილიტარიზმის დასაფინანსებლად, თავიანთ მეტოქეებთან საბრძოლველად. იზრდება კოლონიების სამხ.-სტრატეგიული მნიშვნელობა.

იმპერიალ. მონოპოლიები ყოველმხრივ ამუხრუჭებდნენ კოლონიებში ეროვნ. კაპიტალის განვითარებას, თანამედროვე მსხვილი მრეწვ. განვითარებას (გარდა სამთო-მომპოვებელი მრეწველობისა, რ-ის განვითარებასაც ხელს უწყობდნენ კოლონიებიდან ძვირფასი მინერ. ნედლეულის გამოტანის მიზნით). იმპერიალიზმის ეპოქაში იმდენად გაიზარდა კოლონიების მნიშვნელობა, რომ მათზე ბატონობა გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმპერიალ. სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებისა, კონფრონტაციისა, კონფლიქტებისა და ომებისა. მსოფლიოს გადანაწილებისათვის პირველი ომი დაიწყო აშშ-მა 1898 ესპანეთის წინააღმდეგ. უტევდა რა დიდი ბრიტ., საფრ. და რუს. პოზიციებს, გერ-

მანია ახორციელებდა ფართო ექსპანსიას თურქეთსა და ბალკანეთში, შუა და შორეულ აღმოსავლეთსა და ჩრდ. აფრიკაში. 1911—12 იტალიამ ხელთ იგდო ტრიპოლი და კირენაიკა (ლიბიის ტერიტ.), იაპონიამ დაამარცხა რუსეთი (1904—05) და დაიპყრო ლიაოდუნის ნ.-კ. და სამხრ. სახალინი, 1910 ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა სამხრ. მანჯურიაზე. გამწვავდა წინააღმდეგობა ძვ. მეტოქეებს—დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის. I მსოფლიო ომის (1914) გაჩაღებაში კოლონიებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. დამარცხებულმა გერმანიამ მთლიანად დაკარგა თავისი კოლონიები, რ-ებიც დაისაკუთრეს ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა (იხ. *ვერსალის საზავო ხელშეკრულება 1919*). ინგლისი და საფრანგეთი გაბატონდა აგრეთვე ყოფილი ოსმ. იმპერიის ნაწილზეც (სირია, ლიბანი, ერაყი და სხვ.). I მსოფლიო ომმა და განსაკუთრებით დიდმა ოქტ. სოციალ. რევოლუციამ სათავე დაუდეს კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, რ-ის ერთ-ერთი გამოვლინება იყო იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის კრიზისი. რუსეთში დიდი ოქტ. სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ძლევამოსილი ეროვნ.-განმათ. რევოლუციების ეპოქა კოლონ. და ნახევრადკოლონ. ქვეყნებში. კოლონიებს და მეტროპოლიებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებამ გამოიწვია გლეხობის, ქალაქისა და სოფლის ნახევრად პროლეტარული ფენების მოძრაობა. ისინი გამოდიოდნენ ანტიიმპერიალ. და ანტიფეოდ. ბრძოლის ძირითად ძალად. კოლონ. სისტემის კრიზისის ახ. ეტაპი გაიშალა II მსოფლიო ომის (1939—45) პერიოდში და განსაკუთრებით ომის შემდგომ წლებში. მნიშვნელოვნად დასუსტდნენ თითქმის ყველა იმპერიალ. სახელმწიფოები. ომის წლებში კოლონიებში მიმდინარეობდა მუშათა კლასის შემდგომი ზრდა. რიგ ქვეყნებში განმტკიცდა პატრ. ინტელიგენციისა და ეროვნ. ბურჟუაზიის პოზიციები და გაიზარდა მათი პოლიტ. აქტივობა. II მსოფლიო ომის შემდეგ აზიისა და ევრ. რიგი ქვეყნების ჩამოშორებამ კაპიტალიზმის სისტემისაგან და მსოფლიო სოციალ. სისტემის წარმოქმნამ (რ-იც სულ უფრო და უფრო ხდებოდა საერთაშ. განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი) შექმნა აუცილებელი პირობები იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის ლიკვიდაციისათვის. ომის დროს და ომის შემდგომ პირველ ათწლეულში კოლონ. სისტემამ დაშლა იწყო უმთავრესად აზიაში. 1943 სახელმწ. სუვერენიტეტი მოიპოვეს სირიამ და ლიბანმა. 1945 კოლონიზატორთა ბატონობა დაემხო ვიეტნამში, გამოცხადდა ინდონეზიის დამოუკიდებლობა. აზიასა და მსოფლიოს სხვა რ-ნებში კოლონ. წყობის რღვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინდ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას (1947). იმპერიალიზმის მთელ კოლონ. სისტემას უძლიერესი დარტყმა მიაყენა ჩინ. სახ. რევოლუციამ (1949). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სახ.-რევ. ძალების გამარჯვებას ჩრდ. კორეასა და ვიეტნამში, რის შედეგადაც ეს ქვეყნები დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ომის შემდგომ წლებში სუვერენულ სახელმწიფოებად გამოცხადდნენ აგრეთვე: იორდანია, ფილიპინები (1946), პაკისტანი (1947), ბირმა, ცეილონი (1948), კამბოჯა (1953) და ლაოსი (1953—54). კოლონ. სისტემის რღვევამ მოიცვა აფრ. კონტინენტი. 1951 დამოუკიდებლობა მოიპოვა ლიბიამ. 1952 ივლ. რევოლუციის შემდეგ ნახევრადკოლონ. დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა ეგვიპტე. 1956—65 აფრიკაში სახელმწ. სუვერენიტეტი მოიპოვა 33 ქვეყანამ. დამოუკიდებელი გახდნენ: სუდანი, მაროკო, ტუნისი (1956), განა (1957), გვინეის რესპ. (1958), კამერუნი, ტოგო, მალი, სენეგალი, მალაგასის რესპ., კონგოს დემოკრ. რესპ. (1971-იდან ზაირი), სომალი, დაჰომეა, ნიგერი, ზემო ვოლტა, სპილოს ძვლის კუნძული, ჩადი, ცენტრ. აფრ. რესპუბლიკა, კონგოს სახ. რესპ.,გაბონი, ნიგერია, მავრიტანია(1960), სიერა-ლეონე, ტანგანიიკა (1961), რუანდა, ბურუნდი, ალჟირი, უგანდა (1962), ზანზიბარი, კენია (1963), ზამბია (ყოფ. ჩრდ. როდეზია), მალავი (ყოფ. ნიასალენდი, 1964), გამბია (1965). დას. ნახევარსფეროში 1959 გაიმარჯვა კუბის რევოლუციამ და კუბელი ხალხი დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. დამოუკიდებლობა მოიპოვეს დიდი ბრიტ. მრავალრიცხოვანმა კოლონიებმა ევროპაში, აზიასა და ამერიკაში: კვიპროსმა (1960), იამაიკამ (1962), ერთ სახელმწიფოდ გაერთ. ტრინიდადმა და ტობაგომ (1962), მალტამ (1964), ქუვეითმა (1961), მალდივის კუბამ და სინგაპურმა (1965), შემდგომ წლებში ბოტსვანამ (ყოფ. ბეჩუანალენდი, 1966), ლესოთომ (ყოფ. ბასუტოლენდი, 1966), მავრიკიამ, სვაზილენდმა, ეკვატორულმა გვინეამ (1968), სამხრ. იემენის რესპუბლიკამ (1967; 1970-იდან იემენის სახ. დემოკრ. რესპ.), ბანგლადეშმა, ბაჰრეინმა, კატარმა, არაბთა გაერთ. საამიროებმა (ყოფ. ხელშეკრულებითი ომანი), ომანმა (1971); ამერიკაში — გაიანამ (ყოფ. ბრიტ. გაიანა), ბარბადოსმა (1966); ოკეანიაში — დას. სამოამ (1962) და ნაურუმ (1968); ტონგამ და ფიჯიმ (1970). გვინეა-ბისაუმ (1973), მოზამბიკმა და ანგოლამ (1975), სურინამმა (1975), კირიბატმა (1979), სენტ-ლუსიამ (1979); იმპერ. კოლონ. სისტემის რღვევის შედეგად დაიშალა დიდი ბრიტ., საფრ., ბელგიის, ჰოლანდ. და პორტუგ. კოლონ. იმპერიები, იმპერიალიზმმა დაკარგა ასობით მილიონ ხალხზე პირდაპირი სამხ.-პოლიტ. ბატონობის უფლება, აგრეთვე მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტ., ეკონ. და სტრატეგიული პოზიცია. იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობის ეპოქისაგან განსხვავებით თანამედროვე პირობებში ფინანს. კაპიტალი აღარ წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას საერთაშ. პოლიტ. და ეკონ. ურთიერთობებში. მრავალ გათავისუფლებულ ქვეყანას, ეკონ. სისუსტის მიუხედავად, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დახმარებით აქვს რეალური პოლიტ. დამოუკიდებლობა. კოლონ. სისტემის ლიკვიდაციის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები, როგორც წესი, ატარებენ მშვიდობისმოყვარე, ანტიიმპერიალ. და ანტიკოლონ. პოლიტიკას. იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის დაშლა არ იწვევს კოლონიალიზმის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას. მრავალ განთავისუფლებულ ქვეყანაში იმპერიალისტები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან და ზოგჯერ წამყვან ეკონ. პოზიციებს. ისინი „იყენებენ ყველა საშუალებას (კოლონიურ ომებს, სამხედრო ბლოკებს, შეთქმულებებს, ტერორს, ძირგამომთხრელ საქმიანობას, ეკონომიურ ზეგავლენას, მოსყიდვას), რათა მორჩილებაში ჰყავდეთ განთავისუფლებული ქვეყნები, მათ მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა ფორმალური გახადონ, ან წაართვან ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობა“ (სკკპ პროგრამა, თბ., 1972, გვ. 51). თანამედროვე კოლონიალიზმის მთავარი ბურჯია აშშ-ის იმპერიალიზმი. იმპერიალისტები სულ უფრო ფართოდ მიმართავენ ნეოკოლონიალიზმს, რ-ისთვისაც დამახასიათებელია კოლონ. პოლიტიკის ფორმებისა და მეთოდების არსებითი ცვლილება, მაგრამ კოლონიალიზმის მთავარი შინაარსის შენარჩუნება — იმპერიალ. სახელმწიფოების მიერ აზიის, აფრიკის და ლათ. ამერიკის ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლოატაცია და ჩაგვრა. ნეოკოლონიალიზმი არის იმ ქვეყნების არაპირდაპირი კონტროლისა და ექსპლოატაციის სისტემა, რ-ებმაც მოიპოვეს სახელმწ. სუვერენიტეტი იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის დაშლის შედეგად. თუკი „კლასიკური“ კოლონიალიზმის საფუძველი იყო კოლონიების ეკონომიკაში კაპიტალისტურამდელი ფორმების კონსერვაცია, ნეოკოლონიალიზმის გეგმების საფუძველია განთავისუფლებულ ქვეყნებში კაპიტალ. ურთიერთობათა დანერგვა. იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა არ დაუშვას ყოფილი კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ჩამოშორება კაპიტალ. სისტემისაგან. ნეოკოლონიალიზმის ეკონ. სტრატეგია ითვალისწინებს გათავისუფლებული ქვეყნებისადმი ზოგიერთ დათმობას, რაც არ ეწინააღმდეგება მის მთავარ ეკონ მიზანს — ამ ქვეყნების ექსპლოატაციასა და მსოფლიოს კაპიტალ. მეურნეობის სისტემაში მათ შენარჩუნებას. კოლონ. სისტემის რღვევის პირობებში მსოფლიო სოციალიზმის ძალების ყოველმხრივი მხარდაჭერით კოლონ. ბატონობისაგან განთავისუფლებული ქვეყნებისათვის იხსნება განვითარების ახ. გზები. მრავალ ქვეყანაში ეროვნ. განთავისუფლებისათვის ბრძოლა პრაქტიკულად გადადის ფეოდალურ და კაპიტალ. ურთიერთობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყანა დაადგა განვითარების არაკაპიტალ. გზას, კურსი აიღო პერსპექტივაში სოციალ. საზ-ბის აშენებისაკენ. ამ ქვეყნებში მიმდინარეობს იმპერიალ. მონოპოლიათა საკუთრების ნაციონალიზაცია. სოციალ. ორიენტაციის ქვეყნებში ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რ-ებიც პასუხობენ ხალხის მასების ინტერესებს, ამტკიცებენ ეროვნ. დამოუკიდებლობას.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., О колониальной политике капитализма. [Сб]. М., 1959; ლენინი ვ. ი., იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ , გ`მოც მე-4, ტ. 22; სკკპ პროგრამა, თბ , 1971; დონაძე ვ., იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და მისი დაშლა, თბ., 1957.

კოლონიზაცია (<ლათ. colonia — დასახლება, ახალშენი), საკუთარი ქვეყნის უშენი განაპირა მიწების დასახლებისა და სამეურნეო ათვისების პროცესი („საშინაო კ.“), აგრეთვე უპირატესად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ახალშენების დაარსება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ („საგარეო კ.“). უკანასკნელი კლასობრივ-ანტაგონისტურ საზ-ბაში ჩვეულებრივ გადახლართულია ადგილ. მოსახლ. ძალდატანებით დამორჩილებასთან (ზოგჯერ გაჟლეტასთან) და წარმოადგენს ექსპანსიის იარაღს. კ. ფართოდ გაიშალა ჯერ კიდევ ძვ. დროში. როგორც ძვ. აღმოსავლეთის (ასურეთი, ფინიკია), ისე ანტიკურ (ბერძნ. პოლისები,-რომი) სახელმწიფოებში (იხ. *ანტიკური კოლონიები*). შუა საუკუნეებში სამხ.-კოლონ. ხასიათს ატარებდა ჯვაროსნული ლაშქრობები XI—XIII სს. ახლო აღმოსავლეთში, როცა ახალდაპყრობილ მიწებზე სახლდებოდა ლაშქრობის მონაწილე გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დაპყრობილი მიწების კ-ს თან სდევდა გერმ. ფეოდალთა აგრესია სლავებისა და ბალტიისპირეთის ტომების წინააღმდეგ, რამაც კულმინაციას მიაღწია XIII ს-ში; გერმ. კოლონისტებმა — გლეხებმა, ხელოსნებმა, მართალია, თან მიიტანეს გარკვეული სამეურნეო გამოცდილება, მაგრამ მთლიანად გერმ. კ., რ-ის ორგანიზატორებიც დამპყრობლური მიზნების მქონე გერმ. ფეოდალები იყვნენ, იყო ფეოდ. ექსპანსიის ფორმა. ფეოდალები და ეკლესია ხშირად გამოდიოდნენ საშინაო კ-ის ინიციატორებად, რადგანაც დაინტერესებული იყვნენ მიწის რენტისა და ძალაუფლების სფეროს გაზრდით. მაგრამ გადამწყვეტ როლს საშინაო კ-ში მაინც გლეხობა თამაშობდა, რ-ისთვისაც ის იყო როგორც მეურნ. გაფართოების, ისე ფეოდ. დამოკიდებულების შემსუბუქების საშუალება (ახალათვისებული მიწები გლეხებს შეღავათიან პირობებში ეძლეოდათ). ევროპელთა მიერ დედამიწის სხვადასხვა რ-ნის

კ. დიდი გეოგრ. აღმოჩენების დროიდან (XV ს. შუა წწ. XVII ს. შუა წწ.) ისე წარიმართა, რომ ძარცვის მიზნით სამხ. ექსპედიციების მოწყობამ და სამხ.-სავაჭრო პუნქტების ათვისებამ ადგილი დაუთმო ახ. მიწების სას.-სამ. (შემდეგ კი სამრეწვ.) ათვისებას ადგილ. მოსახლ. შრომის გამოყენებით, ანდა თვით ევრ. ახალმოსახლეთა ძალებით. ევრ. ახალმოსახლეთა კოლონიების შექმნისას (მაგ., ჩრდ. ამერ. ტერიტორიაზე და ავსტრალიაში — ინგლისელების მიერ, სამხრ. აფრიკაში — ჰოლანდიელთა მიერ) ადგილ. მოსახელობას ფევნიდნენ მწირ მიწებზე, ანდა ჟლეტდნენ, უფრო გვიან ასახლებდნენ რეზერვაციებში XVIII—XIX სს-ში, „თავისუფალი" (ფაქტობრივად ინდიელთა კუთვნილი) ჩრდ. ამერ. მიწების კ-მ დიდი როლი ითამაშა ამერიკის სოც.-ეკონ. განვითარებაში, სოფ. მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების „ამერიკული" გზის გამარჯვებაში აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. რიგი ქვეყნების ევრ. ახალმოსახლეთა კოლონიების ორგანიზაციამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნების კოლონ. დამონებას. იხ *კოლონიები* და *კოლონიური პოლიტიკა*.

კ-ს ადგილი ჰქონდა რუსეთშიც. IX—XII სს ძვ. რუსეთის (იხ *კიევის რუსეთი*) სლავურმა მოსახლეობამ თანდათან მოახდინა მდ. ოკის, ზემო ვოლგის, ვიატკის აუზების, დვინისპირეთის, ონეგისპირეთისა და სხვ. ტერიტორიების კოლონიზაცია. აღმ. ევრ. ჩრდ. ნაწილის კ. გაძლიერდა XIII—XV სს-ში მას შემდეგ, რაც მონღოლ-თათართა შემოსევებმა აიძულა ხალხთა დიდი მასები დაეტოვებინათ სამკვიდრებელი, დამწვარ-დანგრეული სოფლები, ქალაქები და გადასახლებულიყვნენ ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით XVI ს-იდან XIX ს. I ნახ. ჩათვლით. რუს. მოსახლეობის კოლონიზაციური მოძრაობა მიმართული იყო სამხრ-ით და აღმ-ით (ციმბ., დონის, ყუბანის-პირეთის, შავი ზღვისპირეთის, ამიერკავკ. და ვოლგისპირეთის მიმართულებით). XVIII ს — XIX ს I ნახ რუს საშინაო კ-ის დამახასიათებელი ნიშანი იყო მემამულური კ ცენტრიდან სამხრ. რ-ნებისაკენ ყმა გლეხების იძულებითი გადასახ.-ლებით, და სახელმწ კ ციმბირისა. იქ ანტიბატონყმური მოძრაობის მონაწილეთა და დამხმარეთა გადასახლებით XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში რუს განაპირა რ-ნების კ-ის დასაწყისი ეტაპი დასრულდა.

კოლონისტები საქართველოში, საქართველოში უცხოტომელთა ჩამოსახლება ხდებოდა გვიანდ ფეოდ ეპოქაში (მაგ. ოსთა ჩამოსახლება, სომხებისა და ბერძნების ჩამოსახლება ერეკლე II-ის დროს და სხვ.) XIX ს-ში ამ მოვლენას თავისებური ხასიათი და მიზანდასახულობა მიეცა რუს. მთავრობას სურდა საქართველოში კოლონისტთა სახით სოც დასაყრდენი გაეჩინა, ქვეყნის ბუნებრივი რესურსები ათვისებინა 1819-იდან მან დაიწყო საქართველოში გერმ კოლონისტთა გადმოსახლება, რ-თაც შექმნეს სოფლები. მარიენფელდი (სართიჭალაში), ალექსანდერსდორფი (დიდუბეში), პეტერსდორფი (სართიჭალასთან), ელიზავეტალი (ახლანდ. ასურეთი), ეკატერინენფელდი (ბოლნისთან) და სხვ.

მთავრობამ კოლონისტებს საუკეთესო მიწები მისცა და ფინანს. დახმარებაც გაუწია. კოლონისტთა საქმეებს წარმართავდა საგანგებო სამმართველო (გაუქმდა 1871). მათთვის შეიმუშავეს წესდება, რ-იც კოლონისტებს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა მაგრამ კოლონისტებმა ვერ გაამართლეს მთავრობის იმედი, ვერ აამაღლეს ადგილ. მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული დონე, თუმცაღა აქტ. მონაწილეობა მიიღეს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში (განსაკუთრებით — ხელოსნობაში). XIX ს. 30-იან წლებში რუს მთავრობამ ირანისა და თურქეთის ტერიტორიიდან გადმოსახლებული სომხები და ბერძნები ჩასახლა თრიალეთში. სამცხესა და ჯავახეთში, გამოუყო მათ მიწები და მატერიალურადაც დაეხმარა. სომხები გადმოსახლდნენ აგრეთვე 70-იან წლებში და I მსოფლიო ომის პერიოდში ბერძნებმა და სომხებმა საქართველოში კომპაქტური დასახლებები შექმნეს და ერთვნ. თვითმყოფობა შეინარჩუნეს

რუს მთავრობამ საქართველოში რუსი ჯარისკაცებისა და სექტანტების დასახლებებიც შექმნა, მაგრამ მათ ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლი არ უთამაშიათ

კოლონიური ბანკები, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში გაბატონებული იმპერიალისტური სახელმწიფოების ბანკები კ. ბ-ს მიეკუთვნება აგრეთვე ამ ქვეყნებში გახსნილი იმპერიალ. სახელმწიფოების მსხვილი ბანკების ფილიალები და განყ-ბები. კ. ბ-ის ძირითადი საქმიანობაა კაპიტალის გატანა კოლონ. და დამოკიდებულ ქვეყნებში, ამ ქვეყნებისათვის სესხის გამოშვება, მათ ტერიტორიაზე მოქმედი მონოპოლიებისა და აქციონერული საზ-ბების საკალუტო და ფასიანი ქაღალდების ოპერაციების ჩატარება. კ. ბ. დახმარებას უწევენ იმპერიალ. სახელმწიფოების მონოპოლიების კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნებიდან იაფფასიანი ნედლეულის შესყიდვასა და საქონლის ექსპორტის გაფართოებაში და ამით აბრკოლებენ ამ ქვეყნების ეკონ. განვითარებას.

პირველი კ. ბ. „ახალი სამხრეთ უელსის ბანკი" წარმოიშვა 1817 ავსტრალიაში (ამჟამად კონტროლს უწევს „მიდლენდ ბენკი"). II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ კოლონ სისტემის სწრაფმა დაშლამ რამდენადმე დააქვეითა კ. ბ-ის პოზიციები. არსებული კ. ბ. ცდილობდნენ ახ. პირობებთან შეგუებას. 60-იან წლებში ჩატარდა ამ ბანკების საქმიანობის რეორგანიზაცია. ამ რეორგანიზაციის შედეგია ახლად შექმნილი დას. აფრ. ქვეყნების ცენტრ ბანკი (1962), სადაც საკონტროლო პოზიციებს ინარჩუნებს საფრანგეთი.

კოლონიური ვაჭრობა, იმპერიალისტური სახელმწიფოების ვაჭრობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებთან; ამ ქვეყნების ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმა. კ. ვ. წარმოიშვა დიდი გეოგრ აღმოჩენების პერიოდში XV—XVII სს. შუა წლებში. კ. ვ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. ამ პირობებში კ. ვ-ის ძირითადი შინაარსია მონებით ვაჭრობა და დაბალი ხარისხის ნაწარმის მაღალ ფასებში გასაღება მსხვილი კაპიტალ. მრეწვ. განვითარებასთან ერთად იზრდება ექსპლუატაცია კოლონ. ქვეყნებისა, სადაც დიდ როლს ასრულებს კ. ვ., რ-ის მეშვეობით წარმოებს არაეკვივალენტური გაცვლა. კოლონ. ქვეყნები თანდათან ჩაებნენ საერთო მსოფლიო კაპიტალ. წარმოებაში და გარდაიქმნენ აგრ. ნედლეულის დანამატად.

იმპერიალიზმის განვითარების პერიოდში კ. ვ წარმოადგენს კაპიტალ. სახელმწიფოს საერთო სისტემის ნაწილს. იმპერიალ. სახელმწიფოების კ. ვ., რ-იც მტაცებლური ხასიათისაა ანადგურებს კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკას და ავითარებს იქ მონოკულტურულ სპეციალიზაციას, რის შედეგად ეს ქვეყნები ხდებიან იმ 2—3 სახის საქონლის ექსპორტიორად, რ-ებიც აუცილებელია იმპერიალ. სახელმწიფოებისათვის. კოლონ. ქვეყნები კი იძულებული არიან შეისყიდონ ფართო ასორტიმენტის სამრეწვ. საქონელი, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება ეს კაპიტალ. საერთო კრიზისის პერიოდში.

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს იმპერიალიზმის კოლონ. სისტემის რღვევა. განთავისუფლებულ ქვეყნებში მიმდინარეობს კ. ვ-ის კაბალური პირობების ლიკვიდაცია, იქმნება საგარეო ვაჭრობის ეროვნ. ფირმები და წესდება სახელმწ. მონოპოლია საქონლის იმპორტზე. ეს ქვეყნები თანაბარსარგებლიანობის პრინციპის მიხედვით ვაჭრობენ სოციალ. ბანაკის ქვეყნებთან, რაც ხელს უწყობს კომპლ. ღონისძიებათა განხორციელებას საკუთარი ეკონ. განვითარებისათვის.

კოლონიური ორგანიზმები, წყლის ორგანიზმები, რ-ებსაც უსქესო (ვეგეტატიური) გამრავლების დროს ახალ-ახალი თაობების ინდივიდები არ სცილდებიან და ქმნიან მეტ-ნაკლებად რთულ კომპლექსს— კოლონიას. კ ო ლ ო ნ ი ურ მ ც ე ნ ა რ ე ე ბ ს განეკუთვნებიან ლურჯმწვანე წყალმცენარეები, დიატომეები და სხვ. კ ო ლ ო ნ ი ურ ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ა უმთავრესად ზღვის უხერხემლოები და უმდაბლესი ქორდიანები (ზოგი შოლტოსანი, სხივურა, ინფუზორია, მრავალი ღრუბელი, ნაწლავღრუიანი, *გრაპტოლითები* და სხვ.). ზოგი კოლონ. ცხოველი მიმაგრებულია სუბსტრატზე და მეტ-ნაკლებად განვითარებული ჩონჩხი აქვს; ზოგი კი წყლის სიზრქეში ბინადრობს, ნახევრად გამჭვირვალეა და უჩონჩხო. კ. ო-ს ხშირად აღენიშნებათ *მეტაგენეზი*. ერთუჯრედიანთა კოლონიები წარმოადგენენ შორისულ რგოლს ერთუჯრედიანებიდან მრავალუჯრედიანების წარმოქმნის პროცესში.

კოლონოკი.

კოლონიური ჯარები, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო ფორმირებანი და ორგანიზაციები, გამიზნული კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში კოლონიზატორების ბატონობის უზრუნველყოფისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. კ. ჯ. კომპლექტდება მეტროპოლიებში სამხ. ვალდებულთა გაწვევით, მოხალისეების დაქირავებით, აგრეთვე კოლონიებში მცხოვრები ევროპელებისა და ადგილ. მკვიდრი მოსახლ. ზოგიერთი კატეგორიისაგან. მეთაურთა შემადგენლობა, როგორც წესი (მცირე გამონაკლისის გარდა) კოლონიზატორებითაა დაკომპლექტებული. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს კ. ჯ-ს ფართოდ იყენებდა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. II მსოფლიო ომში (1939—45) დიდი ბრიტანეთი აფრიკაში. ბირმასა და სხვა რ-ნებში სამამრ მოქმედებას ძირითადად კ. ჯ-ით აწარმოებდა. II მსოფლიო ომის შემდეგ კ. ჯ. ჰყავდა დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ნიდერლანდს, ბელგიას, ესპანეთს, პორტუგალიას.

კოლონკელისძენი, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში XII ს. II ნახევარში. ამ გვარიდან ცნობილია ორი პიროვნება — ორივე ჰერეთის ერისთავი: ვარდანი (გიორგი III-ის მეფობაში) და საღირი (თამარის მეფობის დასაწყისში). ამის შემდეგ ჰერეთის ერისთავები *გრიგოლისძენი* იყვნენ. შესაძლებელია კ-თა გვარი სოფ. კოლონკეთის (ვახუშტის მიხედვით მდ. მეჯუდის ხეობაში იყო) სახელწოდებიდან მოდიოდეს.

წყარო. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთ.ნი, წგნ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 2, თბ., 1959.

დ. მუსხელიშვილი.

კოლონოკი (Mustela sibirica), მტაცებელი ძუძუმწოვარი *კვერნისებრთა* ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 40 *სმ* აღწევს. მასა — 650—820 გ. აქვს ღია წითური ფერის ხშირი ბეწვი, თეთრი ტუჩები და ნიკაპი. გავრცელებულია აზიაში; სსრკ-ში — ციმბირში, ურალზე, შორეულ აღმოსავლეთში. ბინადრობს ტაიგაში, ნაწილობრივ ტყე-ველის ზონაში. იკვებება წვრილი მღრღნელებით, აგრეთვე ფრინველებით, ნაყოფით, კენკრით. მაკეობა 30 დღემდე გრძელდება. შობს 2—10 ნაშიერს. ძვირფასბეწვიანი ცხოველია. კუდის ბალნისაგან ამზადებენ მაღალხარისხოვან სამხატვრო ფუნჯებს.

ა. კოლონტაი.



კოლორადოს კარტოფილის ხოჭო; 1—ხოჭო; 2—ჭუპრი; 3—მატლი. 4—კვერცხის დება; 5—მატლები და ხოჭოები ჭამენ კარტოფილის ფოთოლს.



ი. კოლოტირკინი.

კოლონტაი (ქალიშვილობის გვარი დ ო მ ნ ტ ო ვ ი ჩ ი) ალექსანდრა მიხეილის ასული [19 (31). III. 1872, პეტერბურგი, — 9. III. 1952, მოსკოვი], საერთაშორისო და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, საბჭ. დიპლომატი. 1906-იდან რსდმპ-ის, 1915-იდან კომპარტიის წევრი. 1905 მისი ინიციატივით შეიქმნა „მუშა ქალთა ურთიერთდახმარების საზოგადოება". 1908 ემიგრაციაში იყო. მონაწილეობდა ს.-დ. მოძრაობაში ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ნორვეგიასა და აშშ-ში. რსდმპ-ის დელეგატი საერთაშ. სოციალ. კონგრესებზე შტუტგარტში (1907), კოპენჰაგენში (1910), ბაზელში (1912). I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ბოლშევიზმის პოზიციაზე იდგა. ეწეოდა ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას ევრ. ქვეყნებში და აშშ-ში. მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, ასრულებდა მის დავალებებს. 1917 თებ. რევ. შემდეგ დაბრუნდა რუსეთში. იყო პეტროგრ. საბჭოს აღმასკომის წევრი, რსდმპ(ბ) VII (აპრილის) კონფერენციის, საბჭოების I ყრილობის დელეგატი, სადაც აირჩიეს ცაკის წევრად ბოლშევიკებისაგან. რსდმპ VI ყრილობაზე (1917) აირჩიეს (დაუსწრებლად) ყრილობის ერთ-ერთ საპატიო თავ-რედ. მონაწილეობდა ოქტ. შეიარაღებულ აჯანყებაში პეტროგრადში, რსდმპ (ბ) ცკ-ის 1917 წ. 10 (23) ოქტ. სხდომის მუშაობაში, რ-მაც მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. ოქტ. რევ. შემდეგ მუშაობდა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისრად. 1918 მიემხრო *„მემარცხენე კომუნისტებს"*, რის გამოც გამოვიდა სახკომსაბჭოს შემადგენლობიდან. შემდეგ აღიარა თავისი შეცდომები. 1920 რკპ (ბ) ცკ-ის ქალთა განყ-ის გამგე იყო. ჰ. მსოფლიოში პირველი ელჩი ქალია. 1923-იდან იგი საბჭ. სრულუფლებიანი დიპლ. წარმომადგენელი იყო ნორვეგიაში, 1926—მექსიკაში, 1927—30—კვლავ ნორვეგიაში, 1930—45—წარგზავნილი, შემდეგ ელჩი შვეციაში. 1945-იდან სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი. ჰ-ს აქვს წიგნები და სტატიები უმთავრესად ქალთა რევ. მოძრაობის საკითხებზე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით 2 სხვა ორდენით, მექსიკისა და ნორვეგიის ორდენებით.

კოლონტიტული (ფრანგ. colonne — სვეტი და ლათ. titulus — წარწერა, სათაური), წიგნის, გაზეთის, ჟურნალის ყოველი გვერდის ტექსტის თავზე მდებარე სასათაურო მონაცემები (ნაწარმოების, ნაწილის, თავის, პარაგრაფისა და სხვ. სახელწოდება). ენციკლოპედიურ გამოცემებსა და ლექსიკონებში ჰ. (გვერდის პირველი და ბოლო სტატიების სახელწოდებები ან მათი საწყისი ასოები) ცვლის სარჩევს, აადვილებს საჭირო მასალის მოძებნას. გაზეთის ჰ. მიგვითითებს სათაურზე, გამოშვების თარიღსა და გაზეთის რიგით ნომერზე.

კოლონციფრი, წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა და სხვათა გვერდის რიგითი ნომერი გვერდის ზედა ან ქვედა ნაწილზე (ჩვეულებრივ გარე კუთხეში).

კოლორადო (ესპ. Colorado. სიტყვასიტყვით — ფერადი), მდინარე აშშ-სა და მექსიკაში. სიგრძე 2740 *კმ* (მარჯვ. შენაკად გრინ-რივერიანად 3200 *კმ*), აუზის ფართ. 635 ათ. *კმ*². სათავე აქვს კლდოვან მთებში მეწინავე ქედზე. ერთვის წყნარი ოკეანის კალიფორნიის ყურეს და აჩენს დელტას. უმთავრესად მიედინება ნახევარუდაბნოსა და უდაბნოში. კოლორადოს პლატოს გადაკვეთისას აჩენს ღრმა კანიონებს (*დიდი კანიონი* და სხვ.). მარცხ. დიდი შენაკადებია: სან-ხუანი, ლიტლ-კოლორადო, ხილა. საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის აპრილ-ივნის.ში. წყლის საშ. ხარჯი შუაწელში 508 $\text{მ}^3/\text{წმ}$, შესართავთან—მხოლოდ 5 $\text{მ}^3/\text{წმ}$, რადგან ჰ-ს წყალს თითქმის მთლიანად იყენებენ საირიგაციოდ და ქ-ების წყალმომარაგებისათვის. ჰ-ზეა აგებული დიდი წყალსაცავები და ჰესები.

კოლორადო (Colorado), პლატო ჩრდ. ამერიკის კორდილიერებში, აშშ-ის სამხრ.-დას. ნაწილში. ჩრდ.-დას-ით ესაზღვრება დიდი აუზი. აღმ. და ჩრდ.-აღმ-ით — კლდოვანი მთები, სამხრ-ით — მექსიკის მთიანეთის შიგა მხარე. ფართ. 300 ათ. *კმ*²-ზე მეტი. გაბატონებული სიმაღლეებია 1800—2500 *მ*, მაქს.—3861 *მ* (მთა ჰამფრიზ-პიკი). აგებულია კამბრიულისწინა კრისტ. და პალეოზოური და მეზოზოური დანალექი ქანებით. პალეოგენ-ნეოგენში განიცადა აზევება, რასაც თან ახლდა ვულკანიზმი და მდ-თა ხეობების ჩაჭრა (*დიდი კანიონი*). ჰავა სუბტროპიკულია, კონტინენტური, მშრალი (ნალექები 200—500 *მმ* წელიწადში). მცენარეულობა — მშრალი სტეპის სუკულენტებია, ნაკლებ მშრალ ადგილებში — ფიჭვისა და ღვიის ტანბრეცილი ტყეები.

კოლორადო (Colorado), შტატი აშშ-ის დას. ნაწილში. ფართ. 270 ათ. *კმ*². მოსახლ. 2,5 მლნ. კაცი (1975), მ. შ. თითქმის 80% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ცენტრი და უდიდესი ქალაქი — დენვერი. შტატს ჩრდიდან სამხრ-კენ შუაზე კვეთს კლდოვანი მთები (მთა ელბერტი, 4399 *მ*). აღმ. ნაწილი უჭირავს დიდ ვაკეებს, დას. — კოლორადოს პლატოს. ჰავა ზომიერია, კონტინენტური. ნალექები 300—400 *მმ* წელიწადში. მთავარი მდ-ებია: საუთ-პლეტი, არკანზასი, რიო-გრანდე, კოლორადო.

ჰ. ინდუსტრ.-აგრ. შტატია. იღებენ იშვიათი და ფერადი ლითონების მადანს, ურანს, ოქროს, ნავთობს, ქვანახშირს. მოლიბდენის მოპოვებით ჰ. I ადგილზეა აშშ-ში. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, კვების, ლითონდასამუშ., ქიმ. და რეზინის მრეწველობა, მრავალდარგიანი მანქანათმშენებლობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრია დენვერი. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია სახორცე მესაქონლეობა. სარწყავ მიწებზე მდინარეთა ხეობებში მოჰყავთ შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, საკვები ბალახი (უმთავრესად იონჯა), დიდ ვაკეებზე — ხორბალი. ბევრია დიდი სასაქონლო ფერმა.

კოლორადოს კარტოფილის ხოჭო (Leptinotarsa decemlineata), მწერი ფოთლიჭამიების ოჯახისა. საშიში საკარანტინო მავნებელია. აზიანებს ძაღლყურძენასებრთა ოჯახის მცენარეებს (კარტოფილი, პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა). წელიწადში 1—2 თაობას იძლევა. მოზრდილი ხოჭო ნიადაგში ზამთრობს. ხოჭო და მატლი ფოთლით იკვებება. კარტოფილის ფოთლის ქვედა მხარეზე 3000-მდე კვერცხს დებს. ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ა ნ ი: კარანტინი, მცენარის დამუშავება ინსექტიციდებით ან მათი ნარევით მიკრობიოლ. პრეპარატებთან.

კოლორადო-სპრინგზი (Colorado Springs), ქალაქი აშშ-ის დას. ნაწილში, კოლორადოს შტატში. მდებარეობს კლდოვანი მთების მთისწინეთში, პაიქს-პიკის მთის ძირას. 185 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 300 ათ. (1975). ბალნეოლ. და კლიმ. კურორტი. ტურიზმისა და სპორტ. შეჯიბრებათა ცენტრი.

კოლორატურა (იტალ. coloratura. სიტყვასიტყვით — სამკაული < ლათ. coloro — ვამკობ, ვალამაზებ), ვოკალური პარტიის ვირტუოზული, ტექნიკურად რთული პასაჟები და მელიზმები (იხ. *ორნამენტიკა*). ვოკალურ მუსიკაში იხმარება შუა საუკუნეებიდან. ჰ-ს კომპოზიტორები ნაწილობრივ მიუთითებდნენ ნოტებში, ნაწილობრივ მომღერალთა იმპროვიზაციით იქმნებოდა. ხშირად ჰ. თვითმიზნად, შიშველ ვირტუოზობად იქცეოდა. ზოგიერთი კომპოზიტორი ჰ-ს იყენებდა როგორც მხატვრული გამომსახველობის საშუალებას (ვ. მოცარტი, ჯ. როსინი, ლ. დელიბი, ჯ. ვერდი, რ. შტრაუსი, მ. გლინკა, ნ. რიმსკი-კორსაკოვი).

კოლორიმეტრი (ლათ. color — ფერი და ...*მეტრი*). ხელსაწყო, რ-ითაც არკვევენ ხსნარების ფერს და ადგენენ ნივთიერებათა კონცენტრაციას; ჰ. ორი ტიპისაა: სამფერი და ქიმ. ანუ კონცენტრაციული. პირველის დანიშნულებაა ფერის გაზომვა და მისი რაოდენობრივი გამოსახვა 3 რიცხვის — ფ ე რ ი ს კ ო ო რ დ ი ნ ა ტ თ ა—სახით. ეა კოორდინატები ასახავს იმ ძირითადი ფერების სინათლის ნაკადის ინტენსიურობას, რ-თა შერევით მიიღება გასაზომისაგან განურჩეველი ფერი. ჰ-ს იყენებენ მრეწველობაში სინათლის წყაროების, საღებავების, ამრეკლი მასალის, შავ-თეთრი და ფერადი ტელევიზორების ეკრანებისა და სხვ. ფერის საკონტროლოდ. ქ ი მ ი ურ ა ნ უ კ ო ნ ც ე ნ ტ რ ა ც ი უ ლ ჰ-ს იყენებენ შეფერილ ხსნარებში ნივთიერებათა კონცენტრაციის, ქიმ. წარმოების პროდუქტებში, ნავთობში, ნავთობპროდუქტებში და ა. შ. სხვადასხვა კომპონენტის შემცველობის განსასაზღვრავად. ჰ-ის მოქმედება ემყარება გარკვეული სიხშირის (ე. ი. გარკვეული ფერის) მქონე სინათლის შთანთქმის ხარისხის დამოკიდებულებას სითხეში ამა თუ იმ კომპონენტის შემცველობაზე. სინათლის შთანთქმას გამოსაკვლევ სითხეში ადარებენ სინათლის შთანთქმას ეტალონურ სითხეში, რის შემდეგ ოპტიკაში ცნობილ თანაფარდობათა (*ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონი*) მიხედვით ანგარიშობენ გასაზომ კონცენტრაციას (10^{-3}—10^{-8} *მოლ/ლ* სიზუსტით, განსასაზღვრავი ნივთიერების სახეობის შესაბამისად). როგორც სამფერი, ისე ქიმ. ჰ. შეიძლება იყოს ვ ი ზ უ ა ლ უ რ ი (ფერის ან შთანთქმის ხარისხის შედარება ხდება თვალით) და ფ ო ტ ო ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი. უკანასკნელი უფრო გავრცელებულია, რადგან იგი მაღალი სიზუსტისაა, ამასთან გაზომვის პროცესების ავტომატიზების შესაძლებლობას იძლევა.

კოლორიმეტრია (ლათ. color — *ფერი* და... *მეტრია*), 1. ა ნ ა ლ ი ზ უ რ ქ ი მ ი ა შ ი — ფოტომეტრიულ მეთოდთა ერთობლიობა, რ-იც ემყარება შეფერილი ხსნარის მიერ შთანთქმული სინათლის რაოდენობის მიხედვით გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრას. შთანთქმული სინათლის რაოდენობასა, ხსნარის ფენის სისქესა და მის კონცენტრაციას შორის არსებობს დამოკიდებულება, რ-იც ემორჩილება ბუგერ-ლამბერტ-ბერის კანონს:

$$I = I_0 \exp(-\varkappa c l), \qquad (1)$$

სადაც I ხსნარში გავლილი სინათლის ინტენსივობაა, I_0 — დაცემული სინათლის ინტენსივობა, l — ფენის სისქე, c — ნივთიერების კონცენტრაცია, $\varkappa$ — მუდმივი სიდიდეა, რ-იც დამოკიდებულია ნივთიერებასა და სინათლის ტალღის სიგრძეზე. (1) განტოლების გალოგარითმებით მივიღებთ:

$$\ln(I_0/I) = \varkappa c l = D, \qquad (2)$$

სადაც D — ხსნარის ო პ ტ ი კ უ რ ი ს ი მ კ კ ვ რ ი ვ ე ბ ა. (2) გამოსახულებიდან ჩანს, რომ ოპტ. სიმკვრივე პირდაპირპროპორციულია ხსნარში ნივთიერების კონცენტრაციისა. განასხვაობენ ჰ-ის სუბიექტურ (ვიზუალურ) და ობიექტურ (ფოტოელექტრულ) მეთოდებს. პირველ შემთხვევაში ოპტ. სიმკვრივეს განსაზღვრავენ სტანდარტული (ეტალონური) ხსნარებისა და საკვლევი ხსნარის შეფერილობათა შედარებით, აგრეთვე ვიზუალური კოლორიმეტრების საშუალებით; ჰ-ის ობიექტური მეთოდების გამოყენებისას იყენებენ ფოტოელექტრულ კოლორიმეტრებს.

2. ფ ი ზ ი კ ა შ ი — მეცნიერება *ფერის* განსაზღვრისა და მისი რაოდენობრივი გამოხატვის მეთოდების შესახებ, აგრეთვე ამ მეთოდების ერთობლიობა.

კოლორიტი (იტალ. colorito<ლათ. color — ფერი, შეფერილობა), ს ა ხ ვ ი თ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი (ძირითადად ფერწერაში)

ფერადოვანი ტონების შეხამების სისტემა, რ-იც წარმოქმნის განსაზღვრულ ერთიანობას და სინამდვილის მრავალფეროვნების ესთეტ. რეალიზაციას წარმოადგენს. ჰ. ესთეტ.-ემოციური გამომსახველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება და მხატვრული სახის ერთ-ერთი კომპონენტია. იგი დაკავშირებულია ნაწარმოების შინაარსთან და საერთო ჩანაფიქრთან, ოსტატის ინდივიდუალობასთან. ისტორიულად ჩამოყალიბდა 2 კოლორისტული ტენდენცია. პიოველი დაკავშირებულია სისტემასთან, რ-საც ახასიათებს ლოკალური ფერების სიძუნწე, ხშირად ფერის სიმბოლური მნიშვნელობით გამოყენება (მაგ., შუა საუკუნეთა ხელოვნებაში). მეორეს ახასიათებს სამყაროს ფერადოვნების (ჰაერის, სინათლის, სივრცის) სრული გამოსახვისკენ სწრაფვა, ტონის, ვალიორის და რეფლექსის გამოყენება. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი, სიტყვებისა და გამოთქმების საგანგებო შერჩევა ლიტერატურულ ნაწარმოებში იმის მიხედვით, თუ რომელი ეპოქის, კუთხის, წრის ცხოვრება არის გადმოცემული (მაგ., დიალექტიზმები მ. ჯავახიშვილის მოთხრობებში, არქაიზმები ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში).

კოლოსეუმი (<ლათ. colosseus—უზარმაზარი, კოლოსალური), ფ ლ ა ვ ი უ ს ე ბ ი ს ა მ ფ ი თ ე ა ტ რ ი, ძვ. რომის არქიტექტურული ძეგლი (ახ. წ. 75—80), გეგმით ელიფსური შენობის (სიგრძე 190 *მ*, სიგანე — 156 *მ*) შუაში მოთავსებული არენის ირგვლივ 4 იარუსად, საფეხურისებრ, განლაგებულია მაყურებელთა ადგილები (დაახლ. 50 ათ. კაცისათვის). იქ ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები და სხვა სანახაობანი. ჰ. ნაგებია ტუფით, გარედან შემოსილია ტრავერტინით, კამაროვან გალერეებში გამოყენებულია აგური და ბეტონი, ტრიბუნები მოპირკეთებული იყო მარმარილოთი. ფასადებს გარს უვლიდა 3 იარუსად განლაგებული ტოსკანური, იონიური და კორინთული ორდერების თაღების რიგი. ჰ. ერთ-ერთი უდიდესია რომის იმპერიის ამფითეატრთაგან.



კოლოსეუმი. რომი. 75—80 წწ.

კოლოსი (ბერძნ. kolossos), 1. უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა და მისთ. 2. (გადატ.) სიდიდით ან სიდიადით განთქმული ვინმე ან რამე. მაგ., მეცნიერების ჰ. (იტყვიან ძალიან დიდ მეცნიერზე).

კოლოსოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (დ. 11. V. 1927, კურსკი), საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), სკკპ წევრი 1963-იდან. 1948 დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკ. ნატიფი ქიმ. ტექნოლ. ინ-ტი. 1951—59 მუშაობდა სსრკ მედ. მეცნ. აკად. ბიოლ. და სამედ. ქიმიის ინ-ტში, 1959-იდან — სსრკ მეცნ. აკად. ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის ინ-ტში. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ნატიფი ორგ. სინთეზის, ანტიბიოტიკებისა და სხვა ბუნებრივი ნაერთების ქიმიას.

თხზ.: Химия антибиотиков, 3 изд., т. 1—2, М., 1961 (თანაავტ.).

კოლოტაური, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (პირველი მაისის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 450 *მ*, ქედიდან 4 *კმ*. პირველი მაისის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. და რვაწლ. სკოლები, კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა.

კოლოტირკინი იაკობ მიხეილის ძე [დ. 1 (14). XI. 1910, სოფ. ზანინო, ახლანდ. იარცევოს რ-ნი, სმოლენსკის ოლქი], საბჭ. ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ქიმ. ფაკ-ტი (1937). ლ. კარპოვის სახ. ფიზიკა-ქიმ. ინ-ტის დირექტორი (1948—51 და 1957-იდან). მისი ძირითადი შრომები ეხება კოროზიასა და ელექტროლიტებში ლითონების პასიურობას. ფუნდამენტური გამოკვლევები აქვს კოროზიული პროცესების ელექტროქიმ. კინეტიკის დარგში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

კოლოფი (capsula), 1. მშრალი მრავალთესლიანი (ზოგჯერ ერთთესლიანი) თვითხსნადი ნაყოფი, რ-იც წარმოქმნილია 2 ან რამდენიმე ნაყოფის ფოთლისაგან. იხსნება ან სახურავით (მრავალძარღვა) და ხვრელებით (ყაყაჩო, მაჩიტა), ან კბილაკებით (ფურისულა, მიხაკი) და სიგრძივი ნაპრალებით (თამბაქო, შბამა), ანდა საგდულებით (შროშანი, ყაზახა). 2. ხავსების სპოროგონიუმის სპორებიანი ნაწილი.

კოლოფონი [სახელი ეწოდა ძვ. ბერძნ. ქალაქ კოლოფონის (Kolophōn, მცირე აზია) მიხედვით], ყვითელი ფერის (ზოგჯერ მუქი მოწითალო), მყარი, მყიფე მინისებრი ნივთიერება; სიმკვრივე 1007—1055 *კგ/მ*³, დარბილების ტემპ-რა 52—70°C; ელექტრობასა და სითბოს ცუდად ატარებს, კარგად იხსნება ორგ. გამხსნელებში. ჰ-სა და მის ნაწარმებს იყენებენ ქაღალდისა და მუყაოს შესაწებებლად, ემულგატორად სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში, რეზინის, პლასტმასების, ხელოვნური ტყავის, ლინოლეუმის, საპნის, ლაქ-საღებავების და სხვათა წარმოებაში, ლითონთა რჩილვისა და მოკალვისას და სხვ.

კოლოქვინტი, კ ო ლ ო ც ი ნ ტ ი (Citrullus colocynthis), მრავალწლოვანი გართხმული ან ხვიარა ბალახოვანი მცენარე გოგრისებრთა ოჯახისა. იზრდება ჩრდ. აფრიკის, ხმელთაშუაზღვისპირეთის და წინა აზიის უდაბნოებში. კულტივირებულია ამ ქვეყნების უმეტეს ნაწილში. სსრკ-ში (თურქმენეთში) გეხვდება ერთწლოვან სარეველად (გზადმყოლილია); ზოგჯერ აშენებენ შუა აზიის და ამიერკავკ. ბოტან. ბაღებში. ნაყოფი სფეროსებრია და მწარე გემო აქვს. შეიცავს გლიკოზიდ კოლოცინტინს, რ-იც ძლიერი საფაღარათო საშუალებაა.

კოლოქსილინი, *ცელულოზის ნიტრატების* ერთ-ერთი სამრეწველო სახეობა.

კოლპაკოვა ირინე ალექსანდრეს ასული (დ. 22. V. 1933), საბჭ. ბალეტის მსახიობი, სსრკ სახ. არტისტი (1965). 1951 დაამთავრა ლენინგრ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი (ა. ვაგანოვას კლასი) და ჩაირიცხა ლენინგრ. ს. კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში. ჰ-ის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ფაქიზი არტისტულობა, ნათელი ლირიზმი, მუსიკალობა. ასრულებს მთავარ პარტიებს ბალეტებში: ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი" და „მაკნატუნა", ადანის „ჟიზელი", პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა", „ნაცარქექია" და სხვ. ჰ-მ პირველმა შეასრულა მთავარი პარტიები გ. გრიგოროვიჩის, ი. ბელსკის, გ. ალექსიძის, ნ. კასატკინას და ვ. ვასილევის დადგმებში: კატერინა (პროკოფიევის „ქვის ყვავილი"), შირინი (მელიქოვის „ლეგენდა სიყვარულზე"), ალა (პროკოფიევის „სკვითური სიუიტა"), ევა (პეტროვის „სამყაროს შექმნა"). სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980). 1965 პარიზში, ცეკვის საერთაშ. ფესტივალზე, „ოქროს ვარსკვლავი" დაიმსახურა. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კოლპინო, ქალაქი (1912-იდან) რსფსრ ლენინგრადის ოლქში, მდ. იჟორის (ნევის შენაკადი) ნაპირზე. რკინიგზის სადგური, ლენინგრადიდან 26 *კმ*. 114 ათ. მცხ. (1979). ლითონდასამუშ. და მანქანათაშ. მრეწვ., საშენ მასალათა კომბინატი, ქარსის ფ-კა, სამსხმელო-მექან. ქ-ნა. ჩრდ.-დასავლეთის დაუსწრებელი პოლიტექ. ინ-ტის საღამოს ფაკ-ტი, მეტალ. ტექნიკუმი. ჰ. დაარსდა XVIII ს. დასაწყისში.

კოლრაბი, იხ. *კომბოსტო*.

კოლრიჯი (Coleridge) სემიუელ ტეილორ (21. X. 1772, ოტერი-სენტ-მერი, დევონშირი, — 25. VII. 1834, ლონდონი), ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი; „*ტბის სკოლის*" თვალსაჩინო წარმომადგენელი. დემოკრ. იდეები გამოხატა ლექსში „ბასტილიის აღება" (1789, გამოქვეყნდა 1834), მაგრამ უკვე ანტიიაკობინისტურ ტრაგედიაში „რობესპიერის დაცემა" (1794, რ. საუთისთან ერთად) და „სონეტებში გამოჩენილ ადამიანებზე" (1794—95) შეიმჩნეოდა განმანათლებლურ და რევ. იდეებში ჰ-ის იმედგაცრუება და წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობა. კრებულით „ლირიკული ბალადები..." (1798, უ. უორდზუორთისთან ერთად), რ-იც მიჩნეულია ინგლ. კონსერვატული რომანტიზმის ერთგვარ მანიფესტად, დაუპირისპირდა ბაირონისა და შელის რევ. რომანტიზმს; ამ კრებულში შეიტანა ჰ-ის მთავარი პოემა „მოხუცი მეზღვაური" (1798), რ-იც დაწერილია შუა საუკ. ბალადის სტილით. ტრაგედია „ოსორიო" (1797), პოემები „კრისტაბელი" (1797, გამოქვეყნდა 1816), „კუბლა-ხანი" (1798, გამოქვეყნდა 1816), ტრაგედია „ზაპოლია" (1817), ლექსების კრებ. „სინდოლას წიგნის ფურცლები" (1817) აღბეჭდილია პესიმიზმითა და რელიგ. მისტიციზმით. 1798—99 განიცადა გერმ. იდეალისტური ფილოს. გავლენა. ჰ-მა თარგმნა შილერის „ვალენშტაინი". 1849 ორ ტომად გამოიცა მის მიერ 1800—10 წაკითხული „ლექციები შექსპირსა და სხვა პოეტებზე". 1917 გამოქვეყნდა მისი „ლიტერატურული ბიოგრაფიები".

თხზ.: The complete poetical works, v. 1—2, Oxf., 1912; Selected poems, L., [1959].

ლიტ.: Е л и с т р а т о в а А. А., Кольридж, მის წვნ.: Наследие английского романтизма и современность, М., 1960; История английской литературы, т. 2, в. 1—2, М., 1953—55.

კოლუმბანი, კ ო ლ უ მ ბ ა ნ უ ს ი (Columban, ლათინიზებული Columbanus) (დაახლ. 540—615), ირლანდიელი მონაზონი, ქრისტიანობის მქადაგებელი დას. ევროპაში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფეოდ. საზოგადოების საეკლესიო კულტურის ერთ-ერთი წარმომადგენელი. დაახლ. 590 მონაზონთა ჯგუფთან ერთად დატოვა ირლანდია, რ-იც იმ დროისათვის დას. ევროპაში საეკლ. განათლებისა და ქრისტ. გავრცელების ერთ-ერთი ცენტრი იყო. კონტინენტზე დააარსა მონასტრები — ბურგონში, ნოისტრიაში, ავსტრაზიაში და ლანგობარდთა სამეფოში.

კოლუმბარიუმი (ლათ. columbarium, თავდაპირველი მნიშვნელობა — სამტრედე. <columba — მტრედი), კრემაციის შემდეგ მიცვალებულის ფერფლიანი ურნის შესანახი ადგილი. ძვ. რომში ჰ-თვის სპეციალურნიშნებიანი ნაგებობები შენდებოდა. 1726 რომის მახლობლად აღმოჩნდა ძვ. წ. I ს. ჰ. ამჟამად ჰ-ები შენდება სასაფლაოებზე და კრემატორიუმებთან.

კოლუმბი (ლათ. Columbus, იტალ. Colombo, ესპ. Colón) ქრისტეფორე (1451, გენუა, — 20. V. 1506, ვალიადოლიდი), ზღვაოსანი, წარმოშობით გენუელი. 1476—84 ცხოვრობდა ლისაბონში და პორტუგ. კ-ებზე მადეირასა და პორტუ-სანტუზე. 1485 გადავიდა კასტილიაში, აქ ანდალუსიელი ვაჭრებისა და ბანკირების დახმარებით შეძლო საოკეანო ექსპედიციის ორგანიზაცია, რათა განეხორციელებინა ევროპიდან ინდოეთში, მისი აზრით, უმოკლესი დას. გზით მოგზაურობის პროექტი.

1492 წ. 3 აგვ. ჰ. 90 კაცისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად 3 გემით („სანტა-მარია", „პინტა", „ნინია"), გავიდა ესპ. ნავსადგურ პალოსიდან, გადალახა ატლანტის ოკ. და

კოლოფი. ნაყოფები, რომლებიც იხსნებიან: 1—კბილაკებით (ფურისულა); 2—ხვრელებით (ყაყაჩო); 3—სახურავით (ლენცოფა); 4—საგდულებით (ლემა).

გუგულის სელის კოლოფი: ა—ჩაჩიანი კოლოფი; ბ—კოლოფი უჩაჩოდ; გ—კოლოფი უჩაჩოდ და უსახურავოდ; დ—სპორებიანი კოლოფის სიგრძივი ჭრილი.

კოლოქვინტი. ყვავილებიანი ყლორტი. ა—მდედრობითი ყვავილის სიგრძივი ჭრილი; ბ—გადახსნილი მამრობითი ყვავილი; გ—ნაყოფის განივი ჭრილი.

ი. კ ო ლ პ ა კ ო ვ ა რაიმონდას როლში (ა. გლაზუნოვის ბალეტი „რაიმონდა").

ქ. კოლუმბი.

კოლუმბიის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

კოლუმბია. ამაზონიის ნოტიო ტროპიკული ტყე.

კოლუმბია. მდ. მაგდალენა.

1492 წ. 12 ოქტ. მიაღწია კ. სან-სალვადორს (ბაჰამის არქ.). შემდეგ მოინახულა ბაჰამის არქ. სხვა კ-ები, აღმოაჩინა და შეისწავლა კ-ები კუბა (ჩრდ.-აღმ. სანაპირო) და ჰაიტი. II ექსპედიციამ (1493—96), რ-იც შედგებოდა 17 გემისა და 1,5 ათზე მეტი კაცისაგან, აღმოაჩინა მცირე ანტილის კ-თა ჯგუფის მთელი რიგი კუნძულები, კ-ები პუერტო-რიკო, იამაიკა და გაიარა კუბის სამხრ. ნაპირის გასწვრივ დ. გ. 84°-მდე. III ექსპედიციამ (1498—1500) 6 გემით აღმოაჩინა კ. ტრინიდადი და სამხრ. ამერიკის სანაპიროს ნაწილი. 1502—04 კ-მა განაგრძო დას. გზის ძებნა და ჩაატარა IV ექსპედიცია. 1502 წ. 15 ივნისს 4 გემით მიაღწია კ. მარტინიკას, 30 ივლისს— ჰონდურასის ყურეს, 1502 წ. 1 აგვ-დან 1503 წ. 1 მაისამდე აღმოაჩინა ჰონდურასის, ნიკარაგუის, კოსტა-რიკისა და პანამის კარიბის ზღვისპირა ნაპირები.

კ-ის აღმოჩენებს თან მოჰყვა მიწების კოლონიზაცია, ესპ. დასახლებათა დაარსება, მკვიდრი მოსახლეობის, რ-საც კ. ინდიელებს ეძახდა, დამონება და მასობრივი განადგურება.

ამერ. აღმოჩენაში კ-ის პრიორიტეტის საკითხი სადავოა. დადგენილია, რომ ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. ამერიკის კ-ებსა და სანაპირო რ-ნებში კ-ზე ასეული წლებით ადრე ნორმანები იყვნენ. კ-ის აღმოჩენებს საყოველთაო-ისტ. მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ამერ. მიწები გეოგრ. წარმოდგენათა სფეროში მხოლოდ მისი ნაოსნობის შემდეგ შევიდა. კ-ის აღმოჩენებმა ხელი შეუწყო შუა საუკ. გეოგრ. მსოფლმხედველობის გადასინჯვას და კოლონ. იმპერიების წარმოქმნას.

ლიტ.: ნამორაძე ა., კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა, თბ., 1961, Магидович И. П., **История открытия и исследования Центральной и Южной Америки**, М., 1965; **Путешествия Христофора Колумба. Дневники, письма, документы**, пер. с исп., М., 1961.

კოლუმბია (Colombia), კოლუმბიის რესპუბლიკა (República de Colombia), სახელმწიფო სამხრ. ამერიკის ჩრდ.-დას. ნაწილში. ფართ. 1138,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 26 მლნ. კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი —ბოგოტა. ოფიც. ენა — ესპანური. ეროვნ. დღესასწაულია 20 ივლ. — დამოუკიდებლობის დღე (1810). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია კოლუმბიის პესო. 41 პესო = 1 აშშ-ის დოლარს (1978).

ადმინისტრაციულად კ. იყოფა 22 დეპარტამენტად, 5 ინტენდენსიად, 4 კომისარიად და 1 სპეც. ოლქად (ბოგოტა).

კ. უნიტარული რესპუბლიკაა. მოქმედებს 1886 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის კონგრესს, რ-იც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან (მოსახლ ირჩევს 4 წლით). საარჩევნო უფლება მოქალაქეებს 21 წლის ასაკიდან ეძლევათ. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. მას ეკუთვნის აღმასრ. ხელისუფლება — პირადი შეხედულების მიხედვით ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ქვეყნის დას. ნაწილი უჭირავს კოლუმბიის ანდებს, რ-იც შედგება 3 მთავარი ქედისაგან — დას., ცენტრ. და აღმ. კორდილიერებისაგან. ამ უკანასკნელიდან ჩრდ-ით მიემართება სიერა-დე-პერიხის შტოქედი, რ-საც დას-ით ეკვრის სიერა-ნევადა-დე-სანტა-მარტას იზოლირებული მასივი (მთა კრისტობალ-კოლონი, 5800 *მ* — ქვეყნის უმაღლესი წერტილი). ანდებს დას-ით და ჩრდ-ით აკრავს წყნარი ოკეანისა და კარიბისპირა დაბლობები. ქვეყნის აღმ. ნაწილი უჭირავს ზეგანს, რ-იც ჩრდ-იდან, აღმ-იდან და სამხრ-იდან შემოფარგლულია ორინოკოსა და ამაზონის დაბლობებით.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ნავთობი, აირი, ქვანახშირი, რკინის მადანი, ნიკელი, პლატინა, ოქრო, ვერცხლი, ზურმუხტი და სხვ.

კ. მდებარეობს ეკვატორულ და სუბეკვატორულ კლიმ. სარტყლებში. ბარში საშ. თვიური ტემპერატურები 29°C აღწევს, 1000-იდან 3000 *მ* სიმაღლემდე 13-იდან 22°C-მდეა, 4000 *მ*-ზე მაღლა 7°C-ზე დაბალია. ნალექები ამაზონის დაბლობზე 4000 *მმ*-მდეა წელიწადში, წყნარი ოკ. სანაპირო დაბლობსა და მიმდებარე მთების კალთებზე 10000 *მმ*-მდე, ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში 150—200 *მმ*, გვალვიანია აგრეთვე ქარზურგა კალთები და შიგა ხეობები. მდინარეთა ქსელი ხშირია. სანაოსნოა მდ. მაგდალენა. აღმ. კორდილიერასა და ჩრდ. დაბლობებზე ბევრი ტბაა.

ყველაზე ნოტიო ეკვეები და მთის კალთების ქვემო ნაწილი შემოსილია ხშირი, მარადმწვანე ტყით წითელ-ყვითელ ლატერიტულ ნიადაგებზე, სეზონურად ნოტიო რ-ნებში სავანაა წითელ ნიადაგებზე, ან ფოთოლმცვივანი მარადმწვანე ტყეები — ყავისფერ-წითელ ნიადაგებზე. განაპირა ჩრდ.-აღმ. ნაწილში ქსეროფილური ბუჩქნარი და კაქტუსებია. ანდებში მკვეთრადაა გამოხატული სიმაღლებრივი სარტყლურობა.

ტყეებში ბეკრია მაიმუნი, არის აგრეთვე იგუანარი, ჭიანჭველიჭამია, ტაპირი, ზარმაცა, ქვეწარმავლებიდან — ხვლიკი; მდებში ბინადრობს ნიანგი.

მოსახლეობა. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობაა *კოლუმბიელები*. ქვეყნის სამხრ-ით ცხოვრობს ადგილ. მოსახლ. — ინდიელები (ძირითადად ჩიბჩა), აღმ. და ტროპ. ტყეებში არავაკები, კარიბები და სხვ. რელიგიით კოლუმბიელები და ჩიბჩა კათოლიკეები არიან. ტყეებში მცხ. ინდიელები ინარჩუნებენ ტომობრივ რწმენებს.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. თითქმის ნახევარი დასაქმებულია სოფ. და სატყეო მეურნეობაში, ნადირობასა და თევზჭერაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე დაახლ. 23 კაცია 1 *კმ*²-ზე (1978). ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული ქვეყნის ცენტრ. ნაწილი (1000-იდან 3000 *მ* სიმაღლემდე), აგრეთვე კარიბისპირა რ-ნები, ყველაზე ნაკლებად — ქვეყნის აღმ. ნაწილი და წყნარი ოკ. სანაპირო. მოსახლ. დაახლ. 60% ქალაქში ცხოვრობს, უდიდესი ქ-ებია: ბოგოტა (3,3 მლნ. მცხ., გარეუბნებიანად, 1977), მედელინი, კალი, ბარანკილია, კარტახენა, ბუკარამანგა და სხვ.

ისტორიული ნარკვევი. კ-ის ტერიტ. უძველესი დროიდან დასახლებული იყო ინდიელთა ტომებით, რ-თა შორის ყველაზე განვითარებული იყო ჩიბჩას ტომი. ესპ. კოლონიზატორები კ-ის ტერიტორიაზე შეიჭრნენ 1499, ხოლო ქვეყანა მთლიანად დაიპყრეს XVI ს. 30-იან წლებში. 1538 კოლონიას ესპანელებმა ახალი გრანადა უწოდეს. მისი ცენტრი გახდა ქ. სანტა-ფე-დე-ბოგოტა (ახლანდ. ბოგოტა). 1718 კოლონია ახალი გრანადის ვიცე-სამეფოდ გარდაიქმნა. იგი საკუთრივ კ-ის ტერიტორიის გარდა აერთიანებდა ახლანდ. *ეკვადორის, ვენესუელისა* და *პანამის* ტერიტორიებს. ესპანელები მაღაროებსა და პლანტაციებში ადგილ. მკვიდრი მოსახლ. შრომას იყენებდნენ. XVII ს. მიწურულში დაიწყო აფრ. ზანგი მონების შემოყვანა. ესპ. კოლონ. ბატონობამ, რასობრივმა დისკრიმინაციამ და მოსახლ.


კოლუმბია
80°
70°
200 კმ
1000
600
5400
4560
4750
1764
910
860
592
150
ბოგოტა
მედელინი
ბარანკილია
სანტა-მარტა
ბუკარამანგა
ბუენავენტურა
ბუენაკეტა
ბარანკაბერმეხა
ბარანკა-ბერმეხა
ბელენ-დე-ბაბა
ბელენ-ბაბა
ბელენ-ბაბა
ბელენ









სტ. *კოლბერი კულტურა.* მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ: მძივები. სარდიონი. ძვ. წ. VIII–VII სს. ნოსირი (ცხაკაიას რ-ნი), სიტულა. ბრინჯაო. ძვ. წ. X–VIII სს. ლეზხუმი; ცულები. ბრინჯაო. ძვ. წ. VIII–VII სს. ცხინვალი. მარჯვნივ: მხედარი ქალის ჭანდაკება. ბრინჯაო ძვ. წ. VIII–VII სს. მუხურნა (ვეიკორის რ-ნი); ტოლნა. კერამიკა. ძვ. წ. X–IX სს. ნოსირი (ცხაკაიას რ-ნი); თოხი და წალდი. ბრინჯაო. ძკ. წ. X–VIII სს. ზეკი (ჩოხატაურის რ-ნი). ყველა–საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

სტ. კონსტებლი ჯ. „ჰაიგეიტის ხედი ჰემპსტიდის გორაკებიდან“.
ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

უუფლებებობამ გამოიწვია აჯანყებები კოლონიზატორთა წინააღმდეგ, მ. შ. 1781 კომუნერროსის აჯანყება.

ეროვნ.-განმათ. ომი, რ-იც XIX ს. დამდეგს მძიეედო კონტინენტს ახალ გრანადაშიც გაჩჩაღდა. 1810 წ. 20 ივლ. ბოგოტაში დაიწყო აჯანყება. 1815-იდან კ-ის ტერიტორიაზეც იბრძოდა ს. ბოლივარი, რ-მაც ვენესუელიდან დაიხია. 1816 მაისს ესპანელებმა ბოგოტა აიღეს. 1819 აგვ. ახალი გრანადიისა და ვენესუელის გაერთ. ძალებმა ბოიაკასასთან (ბოგოტის მახლობლად) ბრძოლაში ესპანელები დაამარცხეს, ხოლო 177 დეკ. ქ. ანგოსტურაში (ახლანდ. სიუდადდ-ბოლივარი ვენესუელაში) გამოცხადდა დიდი კ-ის ფედერაციული რესპ. შექმნა (შედიოდა ახალი გრანადა, ვენესუელა, მოგვიანებით—ეკვადორი), რ-ის პრეზიდენტიც ს. ბოლივარი გახდა. შინაურ წინააღმდეგობას კრეოლ მიწათმფლობელთა შორის დიდი კ-ის დაშლა მოჰყვა (1830). შეიქმნაა დამოუკიდებელი სახელმწიფოები: ვენესუელა, ეკვადორი და ახალი გრანადა (მმის შემადგენლობაში შედიოდა პანამა). 1832 მიიღეს ახალი გრანადის პირველი კონსტიტუცია. 1863 მიღებული კონსტიტუციით ქვეყანას კ-ის შეერთებული შტატები ეწოდა, ხოლო 1886 კონსტიტუციით კოლუმბიის რესპუბლიკა. თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო აშშ-ს განსაკუთრებით იზიდავდა პანამის ყელი; 1856-იდან 1903-მდე იგი 14-ჯერ იყო ოკუპირებული აშშ-ის მიერ. აშშ-მა ისარგებლა პანამელთა მისწრაფებით შეექმნათ საკუთარი, დემოკრ. სახელმწიფო, და მისი „ხელშეწყობით" 1903 ნოემბ. პანამის ტერიტ. გაამოეყო კ-ს, შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. I მსოფლიო ომის წლებში კ-ში გაძლიერდა აშშ-ის კაპიტალის ექსპანსია, რ-მაც ფაქტობრივად განდევნა ინგლ. კაპიტალი. 1916—18 კ-ში ნავთობის მდიდარი საბადოები აღმოაჩინეს. 20-იან წლებშიი მკვეთრად გაიზარდა მუშათა მოძრაობა, რ-ზეც არსებითი გავლენა იქონია რუსეთში დიდმა ოქტ. სოციალ. რევოლუციამ. 1930 შეიქმნა *კოლუმბიის კომუნისტური პარტია* (კკპ). 1932—34 კ. ეომებოდა პერუს, რ-მაც მიიტაცა კაუჩუკისა და ქინაქინის ხით მდიდარი ლეტისიის ოლქი. 1934 კკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს მემარცხენე ლიბერალი ა. ლოპესი, რ-ის მთავრობამ გაატარა მთელი რიგი პროგრ. რეფორმები (უფასო განათლება, ეკლესიის გამყოფოფა სახელმწიფოსაგან, მუშათა კანონმდებლობა), ხოლო 1936 მიიღო აგრ. რეფორმის კანონი. 1935 დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრკ-თან. II მსოფლიო ომის წლებში კ-ის ეკონომიკა საგრძნობლად გაანვითარდა, თუმცა კვლავაც დამოკიდებული იყო აშშ-ის კაპიტალზე. ლოპესის ცცდამ რამდენადმე შეეზღუდა ამერ. მონოპოლიების საქმიანობა, ოპოზიციის წინააღმდეგობა გამოიწვია. 1945 ლოპესი იძულებული გახდა გადამდგარიყო. 1946 პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა კონსერვატორმა მ. ოსპინა პერესმა, რ-მაც ტერორ. რეჟიმი დაამყარა. 1948 აპრ-ში ბოგოტაშიი მოკლეს მემარცხენე ლიბერალების ლიდერი ხ. ე. გაიტანი, რაც აჯანყების საბაბი გახდა, მაგრამ აჯანყება მალე ჩაახშვეს. 1948 მაისში კ-მ დიპლ. და საკონსულო ურთიერთობა გაწყვიტა სსრკ-თან. 1951 კ-მ აშშ-თან დახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება დადო, ხოლო 1952 — ორმხრივი პაქტი სამხ. დახმარების შესახებ. ქვეყნის მილიტარიზაციამ და ამერ. მონოპოლიების მიერ მისი ბუნებრივი რესურსების ძარცვამ მასების გულისწყრომა გამოიწვია. 1949 კ-ში დაიწყო მშრომელთა პარტიზ. ბრძოლა ტერორ. დიქტატურის წინააღმდეგ. 1953—57 ქვეყანაში გენ. გ. როხას პინილიას სისხლიანი რეჟიმი დამყარდა. 1957 მასების საყოველთაო საპროტესტო მოძრაობის შედეგად პინილიასს რეჟიმი დაემხო. მაგრამ ბურჟუაზიამ შეძლო ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიებს შორის შეთანხმების დადება „პარიტეტული" მმართველობის შესახებ. ამგვარად შეიქმნა ბურჟ. პარტიების ე. წ. ეროვნ. ფრონტი, რ-მაც ხელში აიღო ქვეყანაში პოლიტ. საქმიანობის მონოპ. უფლება. 1957 კკპ იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, მაგრამ არ ჰქონდა პოლიტ. უფლებები. 60-იანი წწ. კ-ში სოც.-ეკონ. და პოლიტ. ცხოვრების მძაფრი კრიზისით აღინიშნა, რ-იც ნაწილობრივ კათოლ. ეკლესიასაც კი შეეხო. 1966 პრეზიდენტად აირჩიეს ლიერას ლესტრეპო, რ-მაც წამოაყენა ფართო რეფორმების პროგრამა. მაგრამ ლიერას ლესტრეპოს ლიბერ. მთავრობამ ვერ შეძლო „ეროვნული გარდაქმნების" პროგრამის განხორციელება. 1968 წ. 19 იანვ. დიპლ. ურთიერთობა აღადგინეს სსრკ-თან, 1970 პრეზიდენტად აირჩიეს კონსერვატორი მ. პასტრანა ბორერო, რ-იც მსხვილი ფინანს. და ეკონ. ჯგუფების ინტერესებს გამოხატავდა. 1972 აპრ-ში მმართველობის ადგილ. ორგანოების არჩევნებში კომპარტიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. 1972 ბოლოს შეიქმნა ოპოზიციის ეროვნ. კავშირი, რ-ის შემადგენლობაში კომპარტიაც შევიდა. 1974 საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა ლიბერ. პარტიის კანდიდატმა ა. ლოპეს მიკელსენმა, რ-ის პროგრამაც ქვეყანაში ზოგიერთი პროგრ. რეფორმის გატარებას ითვალისწინებდა. 1974—75 ლოპეს მიკელსენის მთავრობამ აღადგინა ურთიერთობა კუბასთან, მხარი დაუჭირა პანამ. ხალხის სამართლიან მოთხოვნას პანამის არხის ზონაზე კონტროლის დაწესების შესახებ. 1975 დეკ-ში ხელი მოაწერეს სსრკ-თან სავაჭრო-ეკონ. და სამეცნ.-ტექ. თანამშრომლობის ხელშეკრულებას. 1978 ივნ. პრეზიდენტად აირჩიეს ლიბერალი ხ. ს. ტურბაი აიალა, რ-იც სათავეში ჩაუდგა ლიბერ. და კონსერვატული პარტიების კოალიციურ მთავრობას.

ეკონომიკა. კ. უმთავრესად აგრ. ქვეყანაა, რ-იც დამოკიდებულია უცხოეთის, პირველ რიგში აშშ-ის კაპიტალზე. ეკონომიკაში სახელმწ. დაბანდებანი შეადგენს მთელ კაპიტალდაბანდებათა დაახლ. 1/3-ს და იყენებენ უმთავრესად ინფრასტრუქტურასა და ნაწილობრივ მრეწველობაში. კ. მსოფლიო ბაზარზე კვლავ წარმოადგენს „ყავის ქვეყანას".

სოფლის მეურნეობაში ბატონობს მსხვილი მიწათმფლობელობა (ლატიფუნდიზმი), შემორჩენილია ფეოდ. გადმონაშთები: შრომითი ბეგარა, მოზიარეობა და სხვ. სოფ. მეურნ. პროდუქციის ღირებულების თითქმის 2/3-ს იძლევა მემცენარეობა.

მეცხოველეობა ექსტენსიურია, უმთავრესად სახორცე მიმართულებისა. მისი პროდუქციის 1/2-ზე მეტს იძლევა კარიბისპირა დეპარტამენტები.

მრეწველობა. II მსოფლიო ომის შემდეგ მრეწვ. ვითარდება როგორც სახელმწ., ისე კერძო სექტორებში. სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი ითამაშა შავი მეტალ. შექმნასა და ენერგეტ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ. განვითარებაში. უცხ. კაპიტალის კონტროლს ექვემდებარება ქიმ. და ნავთობგადასამუშ. მრეწვ., ავტოაწყობა, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების, ცემენტისა და მინის წარმოება.

მრეწვ. ქმნის მთლიანი ეროვნ. პროდუქტის 23%-ს, მ. შ. 21,5%-ს—დამუშავებითი, 1,5%-ს — მოპოვებითი მრეწველობა. ბოიაკის დეპარტამენტში იღებენ ზურმუხტს (მსოფლიო მოპოვების 90%-ზე მეტი). ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრეა 4000 *მეგავტ*. ელექტროენერგიის (15 მლრდ. *კვტ·სთ*, 1977) დიდ ნაწილს იძლევა ჰესები.

განვითარებულია კვების (შაქრის, თამბაქოს), საფეიქრო (უმთავრესად ბამბის ქსოვილების წარმოება), ქიმ., ნავთობგადასამუშ., ლითონდასამუშ., ქაღალდის, საშენ მასალათა მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია: ბოგოტა, მედელინი, კალი და ბარანკილია.

ტრანსპორტი. შიგა გადაზიდვებში წამყვან როლს თამაშობს საავტ. ტრანსპორტი. საავტ. გზების სიგრძეა დაახლ. 45 ათ. *კმ*, მ. შ. 8 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია. რკინიგზის სიგრძეა 3435 *კმ* (1978). 1978 საზღვ. საავაჭრო ფლოტის ტონაჟმა შეადგინა 254 ათ. ტ. მთავარი ნავსადგურებია: ბუენავენტურა, სანტა-მარტა, ბარანკილია, კარტახენა, ტუმაკო. უდიდესი აეროპორტია ელდორადო (ბოგოტა).

საგარეო ვაჭრობა. 1978 ექსპორტმა შეადგინა 2945 მლნ. დოლ., იმპორტმა — 3412 მლნ. გააქვთ ყავა (ექსპორტის ღირებულების დაახლ. 68%), ქსოვილები, საშენი მასალა, ფეხსაცმელი, ბანანი, ხორცი და სხვ. შეაქვთ ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, მანქანა-მოწყობილობანი, ნედლი ნავთობი. მთავარი საავაჭრო პარტნიორები არიან: აშშ, ევრ. ეკონ. გაერთიანებაში შემავალი ქვეყნები, იაპონია, ვენესუელა, ეკვადორი, პერუ.

განათლება. კ-ის ყველა სკოლაში რელიგია სავალდებულო სასწავლო საგანია. არის სკოლამდელი დაწესებულებანი 5—7 წლის ასაკის ბავშვებისათვის. 1927-იდან სავალდებულოა დაწყ. სწავლება 7—12 წლის ასაკის ბავშვებისათვის. დაწყ. სკოლა 5-წლიანია ქალაქად და 4-წლიანი სოფლად. სწავლება განცალკევებულია. 1978 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 3 მლნ-მდე მოსწავლე. საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა 6-წლიანია; 1978 სწავლობდა 600 ათ-მდე მოსწავლე. პროფმომზადება ხორციელდება 5-წლიანი დაწყ. სკოლის ბაზაზე 3—4-წლიან ტექ., სას.-სამ., ხელოვნ. და ხელოსნობის სკოლებში; არის საშ. ტექ. 7-და 6-წლიანი კომერც. სკოლები. 1978 პროფსასწავლო დაწესებულებებში სწავლობდა 70 ათ-ზე მეტი მოსწავლე. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პედ. სასწავლებლები (1978 სწავლობდა 57 ათ-ზე მეტი მოსწავლე), საშ. სკოლის მასწავლებლებს—უნ-ტები. კ-ში 38 უნ-ტი და 24 სხვა სახელმწ. და კერძო უმაღლესი სასწავლებელია (1978 სწავლობდა 58 ათ-ზე მეტი სტუდენტი).

სამეცნ.-კვლ. მუშაობა მიმდინარეობს უნ-ტებში, დარგობრივს აკადემიებსა და ინ-ტებში, სამეცნ. საზ-ბებსა და ასოციაციებში. სამეცნ. მუშაობის კოორდინაცია ხდება კ-ის სამეცნ. კვლ. ფონდისა და უნ-ტების ასოციაციაში; გარკვეულ როლს თამაშობს აშშ-ის სახელმწ. და კერძო ორგანიზაციებიც (ეროვნ. სამეცნ. ფონდი; ფორდის, როკფელერის, კელოგის და სხვათა ფონდები).

ბოგოტაში არის ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1777; 350 ათ. ტ.), ეროვნ. მუზეუმი (1824), ეროვნ. ანთროპოლ. მუზეუმი (1938), ოქროს მუზეუმი (1939), ს. ბოლივარის მუზეუმი (1922) და სხვ.

1978 კ-ში გამოდიოდა დაახლ. 400 პერიოდული გამოცემა; მ. შ. 37 ყოველდღიური გაზეთი.

საინფორმაციო სააგენტო „კოლუმბია პრესი" დაარსდა 1955. სახელმწ. რადიოსადგური „რადიო დიფუსორა ნასიონალ დე კოლომბია" მუშაობს 1940-იდან, ტელევიზია — 1954-იდან.

ლიტერატურა. კ-ის ლიტ-რა ვითარდება ესპ. ენაზე. ინდიელ (ძირითადად ჩიბჩას) ტომთა კულტურა გაანადგურეს ესპ. კოლონიზატორებმა XVI ს-ში. XVIII ს-მდე წამყვანი ჟანრი იყო პოეზია. ეროვნ-განმათ. და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების პერიოდში წარმოიშვა რევ.-პატრ. კლასიციზმის ლიტ-რა (პუბლიცისტები ა. ნარინო, 1765—1823; ფ. სეა, 1766—1822; პოეტები და დრამატურგები ხ. ფერნანდეს მადრიდი, 1789—1830; ლ. ვარგას ტეხადა, 1802—29; ხ. სალასარი, 1785—1828 და სხვ.). 1830-იდან გავრცელდა რომანტ. ლიტ-რა (მწერალი, ხ. ორტისი,

კოლუმბია. მ. პოლოკავალიერო. სან-ფრანსისკოს ეკლესია. მონგი. დაახლ. 1733—63.

კოლუმბია. სანტო-დომინგოს მონასტერი. კლუატრი. ბოგოტა. 1777—1785.

კოლუმბია

მთავარი მდინარეები

მაგდელანა
ატრატო
ვუავიარე
მეტა
პუტუმაიო
კაკეტა

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები (ათასი ტონა, 1978)

ყავა	580
ბრინჯი	1900
ხორბალი	74
სხვა მარცვლეული კულტურები	1750
ბამბა	160
კაკაო-მარცვალი	29
სოია	87
ბანანი	1120

მეცხოველეობა (მლნ. სული, 1978)

მსხვილი რქოსანი საქონელი	24,4
ცხვარი	2,3
ღორი	2

მოპოვებითი მრეწველობა (ათასი ტონა, 1977)

ნავთობი	7400
ქვანახშირი	4100
რკინის მადანი	490
ქვამარილი	922
ოქრო	8,3
ვერცხლი	3
ალატინა	750 კგ.

კოლუმბია. ფ. პ ი ს ა ნ ო. სახლი მანისალესში. XX ს. შუა წლები.

კოლუმბია. რ. რ ო ს ო. „უსაზღვრო სინაზე". ბრინჯაო. XX ს. დასაწყისი.

კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ყრილობები:

I	ყრილობა	—1941 აგვ.
II	„	—1944 აგვ.
III	„	—1945 დეკ.
IV	„	—1946 მაისი
V	„	—1947 ივლ.
VI	„	—1949 აგვ.
VII	„	—1952 აპრ.
VIII	„	—1958 დეკ.
IX	„	—1961 ივნ.
X	„	—1966 იანვ.
XI	„	—1971 დეკ. ბოგოტა; ეროვნ. კონფერენცია — 1972 დეკ. ბოგოტა.
XII	ყრილობა	—1975 დეკ. ბოგოტა.

კოლუმბია. ფ. პ ი ს ა ნ ო. ფირმა „ფილიპს კოლომბიანას" შენობა. ბოგოტა. XX ს. შუა წლები.

1814—92; პოეტები ხ. კარო, 1817—53; ხ. არბოლედა, 1817—62); რომანტიზმის წიაღში წარმოიშვა *კოსტუმბრიზმი* (ხ. მ. სამპერი, 1828—88; ე. დიას კასტრო, 1804—65). პოეზიაში თავი გამოიჩინეს სატირიკოსებმა რ. კარასკილიამ (1827—86), ხ. პოსადამ (1825—80) და სხვ.; კოსტუმბრიზმის რეალისტურ ტრადიციებს ავითარებდა ხ. მაროკინი (1827—1908), სოც.-რეალისტური რომანისასა— ტ. კარასკილია (1858—1940), ე. სულეტა (1864—1937) და სხვ.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში მომძლავრდა მოდერნისტული მიმართულებები (პოეტები ხ. სილვა, 1865—96; გ. ვალენსია, 1873—1943 და სხვ.). 20-იან წლებში შეიქმნა ჯგუფი „ლოს ნუევოს", გამოდიოდა ამავე სახელწოდების ჟურნ., რ-ის გარშემო დაჯგუფდნენ პოეტები ლ. დე გრეიფი (დ. 1895), ხ. პარდო გარსია (დ. 1902), რ. მაია (დ. 1897) და სხვ.; გავრცელდა ავანგარდიზმი; ვითარდებოდა სოც. პოეზიის ტრადიციები (ლ. ლოპესი, 1883—1950) და სოც.-კრიტ. მიმართულება პროზაში (ხ. ე. რიეერა, 1889—1928); ანტიიმპერიალ., ანტიდექტატორულ იდეებს ავითარებდნენ ესეისტი ბ. სანინ კანო (1861—1957), პუბლიცისტი ხ. სალამეა (1905—69) და სხვ. 30-იან წლებში გაღვივდა ინტერესი საზ.-პოლიტ. პრობლემატიკის მიმართ. თანამედროვე ლიტერაში მსოფლიო რეზონანსი ჰქონდა გ. *გარსია მარკესის* რომანს „მარტოობის ასი წელი" (1967). 1949 შეიქმნა პოეტური ჯგუფი „ქვა და ცა".

ხელოვნება. სამხრ. კ-ის ტყეებში აღმოჩენილი სან-აგუსტინის კულტურა ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. მიეკუთვნება. ჩიბჩას ტომის ინდიელები აგებდნენ ქვის ტაძრებსა და სიმაგრეებს, ხის სახლებს. ამზადებდნენ კერამ., სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ნივთებს. განვითარებული იყო ფეიქრობა, წვნის ხელობა და მეთუნეობა. XVI—XVIII სს-ში აშენებდნენ ქ-ებს. კოლონ. პერიოდიდან შემორჩენილია მონასტრები. XVI—XVII სს-ში ჩამოყალიბდა რელიგ. და საერო ფერწერის ადგილ. სკოლა. XVII ს. ფერმწერთაგან აღსანიშნავია გ. ვასკესი. XIX ს. — XX ს. დასაწყისში ქ-ები განაშენიანდა კლასიცისტური, მოგვიანებით „მოდერნის" სტილის შენობებით. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ფერმწერები პ. ფიგეროა, ხ. ესპინოსა და სხვ. XX ს. დასაწყისში სამრეწვ. მშენებლობას მოჰყვა ქ-ების ზრდა. 1930-იანი წლებიდან აშშ-ისა და ბრაზ. არქიტ. სკოლის გავლენით განაშენიანდა ქ-ები: ბოგოტა, კალი, კარტახენა, აიგო ახ. სამრეწვ. და საზ. შენობები, საცხოვრ. სახლები. მოღვაწეობდნენ არქიტექტორები: პ. ნ. გომეს აგუდელო, ხ. რ. მონტერო, გ. სერანო კამარგო და სხვ.; ფერმწერები: პ. ნ. გომეს აგუდელო, ი. გომეს ხარამილიო და სხვ.

კ-ის ხალხ. მუსიკაში გამოხატულება პოვა ქვეყნის ეროვნ. შემადგენლობის თავისებურებამ. სხვადასხვა რ-ნებში გავრცელებულია კრეოლური, ინდიელთა და ზანგური მუსიკა. პროფ. მუსიკის ჩასახვა (XVII ს. დასაწყ.) დაკავშირებულია ეკლესიასთან. საერო მუსიკა ვითარდება XVIII ს. დასასრულიდან. 1784 ბოგოტაში შეიქმნა პირველი საკრავიერი ანსამბლი — სასულე ორკესტრი. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კ-ის მუს. ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოიცოცხლდა. კ-ის მუსიკის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ინგლ. გ. პრაისს (პირველი მუს. ფილარმონიული საზ-ბის დამაარსებელი) და მის შვილს ჯ. პრაისს (მუსიკის ეროვნ. აკადემიის დამაარსებელი, 1882; 1910-იდან — ეროვნ. კონსერვატორია). XIX ს. კომპოზიტორები არიან: ა. ველასკო, ნ. რეჩედელი, ე. სალასი, ხ. გუარინი, ო. სინდიჩი (წარმოშობით იტალიელი, კ-ის ეროვნ. ჰიმნის ავტორი), ხ. პონსე დე ლეონი [პირველი კოლუმბიური ოპერების „ესთერი" (1874) და „ფლორინდა" (1880), ავტორი]. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ურიბე ოლგინის მოღვაწეობა. XX ს. კომპოზიტორები არიან: ა. ვალენსია, ხ. სილვა, ხ. კონტრერასი, კ. ამადორი; დირიჟორი გ. ესპინოსა გრაუ — ეროვნ. სიმფ. ორკესტრის ფუძემდებელი (1936); მომღერალი ლ. მასია; მუსიკათმცოდნეები ხ. პედრომო ესკობარი და ე. დე ლიმა. მუს. ცხოვრების ცენტრია ქ. ბოგოტა. აქ არის საოპერო თეატრი, ეროვნ. კონსერვატორია, ეროვნ. სიმფ. ოკრესტრები, ეროვნ. სასულე ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი „ფოლკლორული ბალეტი", ფოლკლორის შემსწავლელი სამეცნ.-კვლ. ცენტრი (ეროვნ. უნ-ტთან). კონსერვატორია და მუს. სკოლები არსებობს სხვა ქ-ებშიც.

პირველი თეატრ. წარმოდგენები კ-ში გაიმართა XVIII ს. ბოლოს. XIX ს. ცნობილი დრამატურგები არიან: ხ. სალასარი, ლ. ვარგას ტეხადა და სხვ.; XX ს. I ნახევრისა — ა. ალვარეს ლეერასი და ლ. ოსორიო. 1950-იანი წწ. შუახანებიდან ჩამოყალიბდა დასები, ეწყობა თეატრ. ფესტივალები, შეიქმნა დრამ. ხელოვნ. ეროვნ. სკოლა. ეროვნ. თეატრ. ხელოვნ. განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქ. კალის ექსპერ. თეატრი, ქ. ბოგოტის კულტურის სახლთან არსებული დასი და სახ. თეატრი. მუშაობს მრავალი საუნივერსიტეტო თეატრი. ცნობილი დრამატურგები არიან: ო. დიასი, ხ. სალამეა და სხვ.; კ-ის თეატრის მოღვაწეები არიან: ე. ბუენავენტურა, ს. გარსია და სხვ. ქ. მანისალესში პერიოდულად (1968-იდან) ეწყობა საუნივერსიტეტო თეატრების ლათ.-ამერ. ფესტივალები.

ლიტ.: Литаврина Э. Э., Колумбия, М., 1967; Мамонтов С. П., Испаноязычная литература стран Латинской Америки в XX веке, М., 1972; Томас А. Б., История Латинской Америки, пер. с англ., М., 1960; Торрес-Риосеко А., Большая латиноамериканская литература, пер. с исп., М., 1972; Gil Tovar F., Trayecto y signo del arte en Colombia, Bogotá, 1957.

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

კოლუმბია (Columbia), მდინარე ჩრდ. ამერიკის დას. ნაწილში, კანადასა და აშშ-ში. სიგრძე 2250 *კმ*, აუზის ფართ. 670 ათ. *კმ*². სათავე აქვს კლდოვან მთებში. მიედინება ჭორომიან კალაპოტში, გადის ვიწრო და გრძელ ტბებზე. კოლუმბიის პლატოს გადაკვეთისას ქმნის ვიწროსა და ღრმა კანიონებს, ტოვებს კასკადოვან მთებს და 50 *კმ* სიგრძის ესტუარით ერთვის წყნარ ოკეანეს. წყალდიდობა იცის გაზაფხულსა და ზაფხულში. წყლის საშ. ხარჯი ქვემო დინებაში 5520 *მ*³/*წმ*. კ-ზე აგებულია აშშ-ის უდიდესი ჰესები: ჯონ-დეი, სიმძლავრე 2700 *მეგატ*, გრანდ-კული — 2300 *მეგატ* და სხვ. საოკეანო გემები ადის ქ. პორტლენდამდე. თევზჭერა.

კოლუმბია (Columbia), ქალაქი აშშ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სამხრ. კაროლინის შტატის ადმ. ცენტრი. 100 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 350 ათ. (1975). ნავსადგ. მდ. კონგარიზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო, სამკერვალო, კვებისა და პოლიგრ. მრეწველობა. უნ-ტი (დაარსდა 1801).

კოლუმბია, კ ო ლ უ მ ბ ი ი ს ო ლ ქ ი (District of Columbia), ფედერალური ოლქი აშშ-ში, გამოიყო 1791 მერილენდის შტატის ტერიტორიისაგან აშშ-ის მომავალი დედაქალაქის ვაშინგტონის მშენებლობისათვის. ფართ. 0,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 702 ათ. კაცი (1976). მდებარეობს მდ. პოტომაკის მარცხ. ნაპირზე, ვირჯინიისა და მერილენდის შტატებს შორის. 1878-იდან ოლქის საზღვრები ემთხვევა ქ. *ვაშინგტონის* მუნიციპალურ საზღვრებს.

კოლუმბიელები, კოლუმბიის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 26 მლნ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ლაპარაკობენ ესპ. ენაზე. ისტორიულად შედგებიან 3 ძირითადი ეთნიკური კომპონენტისაგან — ინდიელების, ესპანელებისა და ზანგებისაგან (XVII ს-ში აფრიკიდან შემოყვანილი მონები), მოგვიანებით მიემატნენ იტალიელი, გერმანელი და დას. ევრ. სხვა ქვეყნების იმიგრანტები. კ-ის ძირითად მასას ქმნიან მეტისები, დანარჩენს — კრეოლები (ესპ. მოახალშენეთა შთამომავლები), მულატები, ზანგები. აბორიგენი ინდიელი ტომების რაოდ. 300—400 ათ. კაცია. მორწმუნე კ. ძირითადად კათოლიკეები არიან. მთავარი საქმიანობაა სოფ. მეურნეობა (ყავა, ბანანი, შაქრის ლერწამი, ბამბა, მესაქონლეობა). ცოტა სამრეწვ. პროლეტარიატი (ნავთის, ოქროს, პლატინის მოპოვება, კვების მრეწვ. და სხვ.).

ლიტ.: Народы Америки, т. 2, М., 1959.

კოლუმბიის კომუნისტური პარტია (კკპ; Partido Communista de Colombia), დაარსდა 1930 წ. 17 ივლ. კოლუმბიის რევოლუციური სოციალ. პარტიის (დაარსდა 1920-იანი წწ. შუა ხანებში) ბაზაზე. 1935 მიიღეს კომინტერნში. კკპ-ის აქტ. მონაწილეობით შეიქმნა კოლუმბიის მშრომელთა კონფედერაცია (1936). 1937—46 კკპ პარლამენტში იყო წარმოდგენილი. 50-იან წლებში პარტიას დევნიდნენ (ბევრი კომუნისტი დაიღუპა; მ. შ. კკ-ის 6 წევრი). 1957 მაისში კკპ-მ ლეგალური საქმიანობა განაახლა. 1968 მიიღო ხელისუფლების ადგილ. ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პარტიის პროგრამა უახლოეს სტრატეგიულ ამოცანად ისახავს ანტიიმპერიალ., ანტილატიფუნდიური სახ.-დემოკრ. რევ. მოხდენას. კკპ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებში (1957, 1960, 1969, მოსკოვი). კკპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპებზე. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. პარტიას ხელმძღვანელობს ცკ, რ-ის გენ. მდივანია ხილბერტო ვიეირა უაიტი. ცენტრ. ორგანოა ყოველკვირეული გაზეთი „ვოს პროლეტარია" („Voz Proletaria"), თეორ. ორგანო — ჟურნ. „დოკუმენტოს პოლიტიკოსი" („Documentos Politicos").

კოლუმბიის პლატო (Columbia Plateau), ლავური პლატო ჩრდ. ამერიკის კორდილიერებში, აშშ-ის ჩრდ.-დას ნაწილში. ფართ. დაახლ. 5 ათ. *კმ*². სიმაღლე 700—1000 *მ*. საფუძველი აგებულია პალეოზოური და მეზოზოური კრისტ. დანალექი ქანებით, რ-ებსაც ზემოდან ადევს მიოცენისა და პლიოცენის ბაზალტები. კ. პ-ს ზედაპირი ბრტყელია, ზოგან ტალღოვანი, დაფარულია ლიოსებით, ჩრდ-ით — მორენებით, დანაწევრებულია ღრმა კანიონებით. მდინარეებზე აგებულია ჰესები.

კოლუმბიის უნივერსიტეტი (Columbia University), აშშ-ის ერთ-ერთი წამყვანი უნ-ტი; დაარსდა სამეფო კოლეჯის ბაზაზე, რ-იც გაიხსნა 1754 ნიუ-იორკში. 1912 კოლეჯს მიეერთა უნ-ტის სტატუსი. 1971 კ. შ-ის შემადგენლობაში იყო: 4 კოლეჯი, 9 სკოლა, საზღვარგარეთის სტუდენტების ცენტრი და ზოგადი სწავლების განყ-ბა (ხარისხების მიუნიჭებლად); 26 სპეციალიზებული ინ-ტი, კვლევითი ცენტრი და სასწ. პროგრამა ცალკეულ პრობლემათა და რეგიონთა შესასწავლად. მ. შ. რუს. ინ-ტი, კომუნიზმის პრობლემათა კვლევის ინ-ტი, სადაც კვლევა წარმოებს

ბურჟ. ფილოს. და სოციალ. პოზიციებიდან და მას იყენებენ ანტიკომუნისტური და ანტისაბჭ. პროპაგანდისათვის და სხვ. 1977 სწავლობდა 17 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 5,5 ათ. მასწავლებელი, მ. შ. 685 პროფესორი, კ. უ-ში 30 ბ-კაა, მ. შ. ძირითადია საუტ-ჰოლისა (3 მლნ. ტ.).

კოლუმბუსი (Columbus), ქალაქი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ოჰაიოს შტატის ადმ. ცენტრი. მდებარეობს მდ. საიოტოს (ოჰაიოს შენაკადი) ნაპირზე. 578 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 1,1 მლნ. (1974). დიდი სავაჭრო და სამრეწვ. ცენტრი. სატრანსპ. კვანძი. სხვადასხვაგვარი ლითონდამუშავება და მანქანათმშ., ქიმ., კვების (უმთავრესად ხორცის), პოლიგრ. მრეწველობა. უნ-ტი (დაარსდა 1870).

კოლუმბუსი (Columbus), ქალაქი აშშ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ჯორჯიის შტატში, მდ. ჩატაჰუჩის ნაპირზე. 160 ათ. მცხ., გარეუბნებიანად 225 ათ. (1975), მ. შ. 1/4-ზე მეტი ზანგია. მდებარეობს მებამბეობის, მეთამბაქოეობისა და არაქისის ნათესების რ-ნში. კვებისა და საფეიქრო (ბამბისა და ტრიკოტაჟის ნაწარმი) მრეწველობა, საფეიქრო მრეწვ. მოწყობილობის წარმოება.

კოლური, ცის სფეროს დიდი წრე, რ-იც გადის სამყაროს პოლუსებსა და ზამთრისა და ზაფხულის *მზებუდობის* წერტილებზე (მზებუდობის კ.) ან პოლუსებსა და გაზაფხულისა და შემოდგომის *ბუნიობის* წერტილებზე (ბუნიობის კ.).

კოლჩაკელობა, კოლჩაკოვშჩინა, ა. *კოლჩაკის* ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციური დიქტატურა ციმბირში, ურალსა და შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის (1918—20) დროს. კოლჩაკის სამზ. გადატრიალებას აქტიურად უჭერდნენ მხარს ანტანტის სარდლები, მისი „უზენაესობა" ცნეს რუს. დანარჩენმა კონტრრევ. მთავრობებმა და კაზაკთა ატამანებმა. კოლჩაკის ძირითადი ბაზა ციმბირი იყო. 1919 გაზაფხულზე თავი მოუყარა 400-ათასიან არმიას. აშშ-ის მთავრობამ მას გადასცა კრედიტის ანგარიშში 600 ათ. შაშხანა, ინგლისმა — ტანსაცმელი 200 ათ. კაცისათვის, საფრანგეთმა — 30 თვითმფრინავი და 200-ზე მეტი ავტომანქანა. კოლჩაკმა ხელთ იგდო რუს. ოქროს მარაგი (651,5 მლნ. მან. ოქროთი და 100 მლნ. საკრედიტო ბილეთი). მან ცნო რუს. იმპერიის ყველა ვალი, აღადგინა იმპერიის კანონები და სასტიკი დევნა დაუწყო რევ. მსჯეს. ციმბირი მალე მოიცვა პარტიზ. მოძრაობამ, რ-საც რკპ (ბ) ორგანიზაციების მძლავრი ქსელი ხელმძღვანელობდა. რევ. პროპაგანდის გავლენის, პარტიზ. ბრძოლის გააქტივებისა და წითელი არმიის შეტევის შედეგად კოლჩაკის არმია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. 1919 შემოდგომიდან ანტანტის ქვეყნებმა მკვეთრად შეასუსტეს დახმარება. 1919 წ. 14 ნოემბ. საბჭ. ჯარებმა აიღეს ომსკი., 1920 იანვარში კოლჩაკმა მთელი ძალაუფლება დენიკინს გადასცა.

ლიტ.: **История гражданской войны в СССР, т. 4, М., 1959; Спирин Л. М., Разгром армии Колчака, М., 1957.**

კოლჩაკი ალექსანდრე ვასილის ძე [4 (16). XI. 1874, პეტერბურგი, — 7. II. 1920, ირკუტსკი], რუსეთის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ადმირალი (1917). დაამთავრა საზღვ. კადეტთა კორპუსი (1894). რუს.-იაპ. ომში (1904—05) მეთაურობდა საესკადრო ნაღმისანს და ბატარეას პორტ-ართურში. მონაწილეობდა 1900—03 და 1908—11 პოლარულ ექსპედიციებში (ჰიდროლოგი). 1906—09 და 1911—14 მსახურობდა საზღვ. გენშტაბში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს, 1916 ივლ-იდან იყო შავი ზღვის ფლოტის სარდალი. 1917 თებ. რევოლუციის შემდეგ დაიკავა უკიდურესი კონტრრევ. პოზიცია და დროებითმა მთავრობამ მიავლინა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. 1918 ოქტ-ში ინგლ. გენ. ა. ნოქსთან ერთად ჩავიდა ომსკში და 4 ნოემბ. დაინიშნა „ციმბირის მთავრობის" სამხ. და საზღვ. მინისტრად. 1918 წ. 18 ნოემბ. კადეტების, თეთრგვარდიელი ოფიცრებისა და ინტერვენტების მხარდაჭერით მოახდინა გადატრიალება, დაამყარა სამხ. დიქტატურა და მიიღო „რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი მმართველის" ტიტული (1920 წ. 4 იანვრამდე). თეთრგვარდიელთა ჯარების განადგურების შემდეგ ომსკიდან ირკუტსკში გაიქცა, სადაც 1920 წ. 15 იანვ. დააპატიმრეს. გამოძიებისა და სასამართლოს შემდეგ რევკომის განაჩენით დახვრიტეს.

კოლჩიდანი (<ბერძნ. Chalkēdōn — ძვ. ბერძნ. კოლონია მცირე აზიაში), მურდასანგი, ალმადანი (ალის მადანი), Fe, Cu, As, Ni, Co, Sn-ის ზოგიერთი სულფიდის, აგრეთვე სულფომარილის კრებითი სახელი. კ-თვის დამახასიათებელია დიდი სიმაგრე, ლითონური ელვარება, ბრინჯაოსებრი ან თითბრისებრ ყვითელი, ნაცრისფერი და კალისებრ თეთრი ფერი. ტერმინები — „გოგირდის (რკინის) კ.", „სპილენძის კ.", „დარიშხანის კ." შესაბამისად *პირიტის, ქალკოპირიტის* და *არსენოპირიტის* მოძველებული სინონიმებია.

კოლჩესტერი (Colchester), ქალაქი დიდ ბრიტანეთში, ესექსის საგრაფოში, მდ. კოლნის ნაპირზე. 132 ათ. მცხ. (1976). მანქანათსაშ., პოლიგრ., სამკერვალო მრეწველობა. რომის იმპ. კლავდიუსის დროს კ. მუნიციპიუმის უფლების მქონე რომაელ ვეტერანთა დასახლებად (Colonia Victricensis) აქციეს. ახ. წ. 61 დაზარალდა ხანძრის გამო. აღდგენის შემდეგ რომის ბრიტანიის ერთ-ერთი დიდი ქალაქი გახდა. გათხრების შედეგად (XIX ს. 80-იანი წლებიდან) აღმოჩნდა ბრიტ. ერთ-ერთი უდიდესი ძვ. ანტ. კომპლექსი. შუა საუკ. ეპოქიდან შემონახულია ნორმანული ციხე-დარბაზი, ტაძრები, პურის ბირჟა.

კოლცოვი ალექსეი ვასილის ძე [3 (15). X. 1809, ვორონეჟი,—29. X (10. XI). 1842, იქვე], რუსი პოეტი. ლექსების წერა 16 წლისამ დაიწყო. მოგვიანებით ვაეცნო და დაუმეგობრდა ბ. ბელინსკის, ა. პუშკინს. 1835 ბელინსკის დახმარებით გამოსცა ლექსების პირველი წიგნი, რ-საც დიდი წარმატება ხვდა წილად. კ-მა წარმოსახა რუს. თავალწარმტაცი ბუნება („ვაჟკაცი", 1833; „ნუ ხმაურობ, ჭვავო", 1834; „სოფლელის ფიქრები", 1837), განსაკუთრებული სიყვარულით წარმოაჩინა შრომის მადლი და მისგან მოგვრილი სულიერი კმაყოფილება („მხვნელის სიმღერა", 1831, „მოსავალი", 1835, „მთიბველი", 1836). ბელინსკე, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი მაღალ შეფასებას აძლევდნენ კ-ის პოეზიას დემოკრ. სულისა და ხალხურობისათვის. კ-ის ლექსებს ხშირად თარგმნიდნენ სხვა, მ. შ. ქართ. ენებზე. კ-ის ლექსებს დიდად აფასებდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვ.

ლიტ.: კვანტრე ქ., ალ. კოლცოვის ლექსების ქართული თარგმანები, «ქუთაისის სახელმწ. პედ. ინ-ტის შრომები», 1946, ტ. 4; ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრ. ათ ტომად, ტ. 3, თბ., 1953. *ვ. შადური.*

კოლცოვი (ნამდვ. გვარი ფრიდლიანდი) მიხეილ ეფიმის ძე [31. V (12. VI).1898, კიევი,—4. IV. 1942, იქვე], რუსი მწერალი, ჟურნალისტი. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1938). სკკპ წევრი 1918-იდან. 1922-იდან გაზ. „პრავდის" მუდმივი თანამშრომელი იყო. კ-ს ეკუთვნის ნარკვევები ვ. ი. ლენინის შესახებ („უკანასკნელი რეისი", 1924; „იანვრის დღეები", 1925), მახვილი სატირული ფელეტონები და ნოველები („ვორონეჟელი პინკერტონები", 1927; „აკრობატები გეჭირდება", 1930 და სხვ). ნარკვევთა კრებულს „ესპანური დღიური" (1938) საფუძვლად დაედო 1936—37 რესპ. ესპანეთიდან გამოგზავნილი და „პრავდაში" გამოქვეყნებული წერილები. რსფსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

კოლხა, იხ. სტ. *კოლხეთის სამეფო.*

კოლხები, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღისპირეთში მცხოვრები ძვ. ქართველი ტომების საერთო სახელი, რ-ის მიხედვით ძვ. ბერძნები მთელ ქვეყანას კოლხეთს, *კოლხიდას* უწოდებდნენ. ძვ. წ. I ათასწლეულში კ-მა შექმნეს კოლხას (კულხა), ხოლო VI ს-ში *კოლხეთის სამეფო.*

კოლხეთი (Kolchis) ასტრონომიაში, მცირე ცთომილი № 1135, აღმოაჩინა საბჭ. ასტრონომმა გ. ნეუიმინმა 1929 წ. 3 ოქტ. სიმეიზის ობსერვატორიაში. საშ. მანძილი მზიდან 398,8 მლნ. *კმ,* მზის ირგვლივ გარემოქცევის პერიოდი 4,35 *წ,* საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 15,0.

კოლხეთის აკადემია, იხ. *კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა.*

ა. კოლცოვი.

კოლხეთის დაბლობი, კოლხეთის ბარის დაბალი ნაწილი, მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე სტრუქტურულ-ეროზიულ გორაკ-ბორცვებს ზ. დ. 200 *მ*-მდე. პირველი აგებულია პლეისტოცენური და ჰოლოცენური თიხნარებით, ქვიშებითა და რიყნარით, მეორე — დისლოცირებული კაინოზოური ასაკის ნალექებით. კ. დ. ოდნავ დახრილია შავი ზღვისაკენ და გადაკვეთილია მცირე სიღრმის ხეობებით. იგი სამკუთხედის ფორმისაა, ფუძით შავ ზღვას ებჯინება, ხოლო წვერი ქ. ზესტაფონთან აქვს. აჭარისა და აფხ. ასსრ-ებში კ. დ. ვიწრო ზოლად ვრცელდება. კ. დ-ზე ზღვიური ტენიანი სუბტროპ. ჰავაა. იანვ. საშ. ტემპ-რა 3,5—4-იდან 6—6,5°C-მდეა, აგვ. 22—23°C. აბსოლ. მინ. —8, —10°C-მდეა, აბსოლ. მაქს. 37—38°C. იცის აღმ. და დას. ქარები. დამახასიათებელია ფიონები და ბრიზები. აჭარის სანაპიროზე წელიწადში 2500 *მმ* ნალექი მოდის. აღმ-კენ ნალექები მცირდება 1200 *მმ*-მდე.

მ. კოლცოვი.

კ. დ-ის მთავარი მდინარეა რიონი (შენაკადები — ყვირილა, ხანისწყალი, ცხენისწყალი, ტეხური). კ. დ-ს ეკუთვნის მდების ენგურის, კოდორის, სუფსისა და ნატანების ქვემო დინებები. მდ-ები საზრდოობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა. კ. დ-ზე გავრცელებულია სუბტროპ. ეწერი, ალუვიური, ჭაობიანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. გორაკ-ბორცვებზე წითელმიწები და ყვითელმიწებია. დაბლობის ზღვისპირა ნაწილში ჭაობიანი ტყეებია, ჭარბობს მურყანი და ტირიფი. დაუჭაობებელ ნაწილში კოლხური ტყის ნარჩენებია, რ-ის მთავარი ჯიშებია: მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, ლაფანი, ძელქვა. გავრცელებულია მარადმწვანე ბუჩქები და ლიანები.

კ. დ-ზე ბინადრობს გარეული ღორი, კურდღელი, მელა, შველი, მგელი, კვერნა, წავი, ფრინველებიდან — კოლხური ხოხობი, გარეული ბატი, გარეული იხვი, ტყის ქათამი და სხვ. კ. დ-ზე არის კოლხიდის, აჯამეთის, სათაფლიის სახელმწ. ნაკრძალები.

კ. დ-თვის დამახასიათებელია ნოტიო სუბტროპ. კოლხური ტიპის ლანდშაფტი, რ-შიც გამოიყოფა ლანდშაფტის ქვეტიპი: ნოტიო სუბტროპ. ვაკე-დაბლობი და დაბალი სტრუქტურულ-ეროზიული გორაკ-ბორცვები ლიანებიანი კოლხური ტყის ნაშთებითა და სუბტროპ. ეწერი და დაჭაობებული ნიადაგებით. თავის მხრივ აღნიშნული ქვეტიპი ლანდშაფტის რამდენიმე სახეს აერთიანებს. კ. დ-ის უდიდესი ნაწილი მჭიდროდ არის დასახლებული და მაქსიმალურად არის ათვისებული მეურნეობისათვის.

ლიტ.: მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1—2, თბ., 1969—70; სანეტლიძე მ., უკლება დ., ჯაფელი ქ., საქართველოს ლანდშაფტური რუკა, თბ.—მ., 1970.

გ. დევდარიანი.

კოლხიდა. ქვის იარაღი. ზემოთ—დისკო; ქვემოთ, მარცხნივ — ანატკეცი; მარჯვნივ—რეტუშირებული ანატკეცი. აშელი. ლენინგრადის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

კოლხეთის კომპლექსური საცდელი სადგური ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა, დაარსდა 1930. აქვს 3 განყ-ბა: მელიორაციის, აგროტექნიკისა და მექანიზაციის, აგრეთვე აგროქიმ. ლაბორატორია და მექან. სახელოსნო. სადგური მუშაობს კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების საკითხებზე, იკვლევს კოლხეთის დაბლობის ნიადაგურ, კლიმ., ჰიდროლ. და მელიორაციულ პირობებს. ჩაატარა დაბლობის აგრომელიორაციული დარაიონება, შეადგინა სას.-სამ. კულტურების განლაგების პროექტი, ამუშავებს ჩაისა და ციტრუსების აგროტექნიკას და სხვ. სადგური ქ. ფოთშია, საცდელი ნაკვეთები — აბაშაში, გალში, სუფსაში, ხორგაში, შავლელეში, ყორათში (საერთო ფართობი 700 ჰა). *ი. ლეკვეიშვილი.*

კოლხეთის ნაკრძალი, ნაკრძალი შავი ზღვის სანაპიროზე, პალიასტომის ტბის მიდამოებში. აღმ-ით ესაზღვრება მდ. ეწერი, სამხრ-ით მდ. ფიჩორა. ფართობი 561 ჰა. დაარსდა 1935. ნაკრძალის მიზანია კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი რელიქტური ფლორისა და ფაუნის მთლიანი კომპლექსის დაცვა. ნაკრძალს დიდი სამეცნ.-კვლ. და ისტ. მნიშვნელობა აქვს. შემონახულია კოლხეთისათვის დამახასიათებელი ჭაობისა და დაბლობის ტყეების ლანდშაფტი; გავრცელებულია მურყანი, წიფელი, რცხილა, კოლხური სურო, წყავი, შქერი და რელიქტური ბალახოვანი მცენარეები. ცხოველებიდან — შველი, გარეული ღორი და სხვ. *კ. მამისაშვილი.*

კოლხეთის სამეფო (ძვ. ქართული წყაროებით — ეგრისი), ადრინდელი კლასობრივი ქართული სახელმწიფო სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთში. ეთნიკური სახელი კოლხი პირველად ძვ. აღმოსავლურ წყაროებში იხსენიება ძვ. წ. XII — XI სს-ში (ტიგლათფილესერ I-ის წარწერა) „კილხის" ფორმით, ხოლო შავიზღვისპირეთში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობას ვარაუდობენ ძვ. წ. XIII ს-იდან. ეს დასტურდება ძვ. ასურული წყაროებითა და აგრეთვე ახლანდ. დას. საქართველოსა და სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში მოპოვებული არქეოლ. მასალით (*იხ. კოლხური კულტურა*). ამ კულტურის შემქმნელ კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა აირეკლა აგრეთვე არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ძვ. ბერძნ. თქმულებების ვერსიებში (*იხ. არგონავტების თქმულება*).

შავიზღვისპირეთის კოლხურ ტომთა გაერთიანება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში თანდათანობით იქცა სახელმწიფოდ. უკვე ძვ. წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში იგი იხსენიება როგორც კოლხას სამეფო, რ-იც გამუდმებით ებრძოდა *ურარტუს* და *დიაუხის* სამეფოებს. კოლხას პოლიტ. ცენტრი სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში (ჭოროხის აუზში) მდებარეობდა, ხოლო მისი გავლენა ვრცელდებოდა აღმ. შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. კოლხას ძლიერების ხანად მიჩნეულია ძვ. წ. VIII ს. ამ დროს იგი ებრძოდა დიაუხის ძლიერ სამეფოს და შეიერთა მისი ჩრდ. ოლქები. ამ დროიდან კოლხეთი ხშირად მოიხსენიება ძვ. ბერძნ. ლიტ-რაშიც. კოლხას სოც. ბუნებისა და პოლიტ. ორგანიზაციის შესახებ ძვ. აღმოსავლურ წყაროებში მწირი ცნობებია შემონახული. ურარტულ წყაროებში იხსენიება კოლხას ქ-ები (მ. შ. „სამეფო ქალაქი" ილდამუსა) და ციხესიმაგრეები, აგრეთვე მეფისნაცვლები ანუ სამეფო მოხელეები, რაც ძვ. აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის არსებობაზე მიუთითებს. ურარტული წყაროები მოწმობენ აგრეთვე მესაქონლეობისა და რკინის მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს.

ძვ. წ. VIII ს. 20-იანი წლებიდან, კოლხას (ძვ. ჰ. ს.) დაცემის შემდეგ, კოლხური ტომების ერთი ნაწილი სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში (ახლანდ. ტრაბზონის მიდამოები) დამკვიდრდა, ხოლო პოლიტ. ცენტრმა გადაინაცვლა ჩრდ-ით—ახლანდ. დას. საქართვ. ტერიტორიაზე, სადაც ძვ. წ. VII—VI სს-ში ჩამოყალიბდა ახ. ძლიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული, მთელ ანტ. სამყაროში ფართოდ ცნობილი ჰ. ს., რ-საც ჰეროდოტე ახლო აღმოსავლეთის დიდი მონარქიების—მიდიისა და აქემენიდური ირანის—გვერდით იხსენიებს.

ძვ. წ. VI—IV სს. ჰ. ს. მიჩნეულია ადრინდ. კლასობრივი ტიპის სახელმწიფოდ, რ-ის მმართველი ზედაფენა ექსპლუატაციას უწევდა თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასას. მონათა რაოდენობა შედარებით მცირე იყო. არქეოლ. მასალა მოწმობს საზ-ბის მკვეთრ ქონებრივ დიფერენციაციას: მრავალრიცხოვანი რიგითი ორმოსამარხების ფონზე აურაცხელი სიმდიდრით, ნატიფი, მაღალმხატვრული ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, ხელისუფლების ინსიგნიებისა და იარაღის სიმრავლით მკვეთრად გამოირჩევა წარჩინებულთა ხით ნაგები აკლდამები.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე — ძვ. ბერძენ მწერალთა ცნობით, აიეტიდების დინასტიის წარმომადგენელი (კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის შთამომავალნი). სამეფო დაყოფილი იყო ტერიტ.-ადმ. ერთეულებად — სკეპტუხიებად (საერისთაოებად). ძვ. წ. VI—V სს-ში ერთ-ერთი სკეპტუხიის ცენტრი მდებარეობდა *ვანში.*

ჰ. ს-ს ეკონომიკის საფუძველი იყო განვითარებული მიწათმოქმედება. ამას მოწმობს ძვ. წ. II—I ათასწლეულების კოლხურ ნამოსახლარებსა და სამაროვნებში მრავლად აღმოჩენილი მრავალფეროვანი სას.-სამ. იარაღი და აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული. ხელოსნური წარმოება მრავალდარგობრივი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის წარმოებას. არქეოლ. გათხრებისას აღმოჩნდა რკინის წარმოების მრავალი ნაშთი (ქურები, წიდები, საბერველი მილები და სხვ.), აგრეთვე რკინის სამეურნეო და საომარი იარაღი. მასიური ხასიათი ჰქონდა კერამ. წარმოებას, რ-ის პროდუქცია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო (ქვევრები და დერგები, ნაირსახოვანი დოქები, ჯამები, სასმისები) და მაღალი ტექნოლ. თვისებებით, ნატიფი ფორმებითა და მდიდარი გეომ. ორნამენტით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო კოლხეთი ოქროს მოპოვებითა (მდინარეული ქვიშიდან) და დამუშავებით, რის გამოც ძვ. ბერძნ. მწერლობაში იგი „ოქრომრავალი" ქვეყნის სახელით იყო ცნობილი. არქეოლ. გათხრებისას აღმოჩენილია კოლხური ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები: ჭედური გამოსახულებით მორთული დიადემები, ნაირსახოვანი სამკაული და სხვ. ხელოსნურ წარმოებას ფართო სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. იგი ძირითადად ქალაქებსა და პოლიტ.-ადმ. ცენტრებში იყო კონცენტრირებული.

ძვ. წ. VI—IV სს. კოლხეთში იჭრებოდა ვერცხლის ფული (კოლხური თეთრი), რ-იც საშინაო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ-ებთან (ბათუმი, ქობულეთი-ფიჭვნარი, ფასისი, გიენოსი, დიოსკურია) დაარსებული ბერძნ. ფაქტორიების მეოხებით ძვ. წ. VI—V სს-ში კოლხეთი აქტ. სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობაში იყო ბერძნ. სამყაროსთან. კოლხეთიდან გაჰქონდათ სხვადასხვა ნედლეული (რკინა, ოქრო, ხე-ტყე) და ხელოსნური ნაწარმი. მთელ ანტ. სამყაროში იყო განთქმული კოლხური სელის ქსოვილი, რ-იც ეგვიპტურსაც კი უწევდა მეტოქეობას. კოლხური კერამიკის ნიმუშები მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. ქ-ებში (პანტიკაპეონი, ნიმფეონი და სხვ.) ათენში აღმოჩენილ წარწერებში იხსენიებიან კოლხი მონებიც. ცნობილია აგრეთვე საბერძნეთში მოღვაწე კერამ. ფერწერის კოლხი ოსტატებიც, რ-თაც აგრეთვე მონებად მიიჩნევენ.

ბერძენ ვაჭრებს კოლხეთში ძირითადად მხატვრული და სუფრის ფაქიზი კერამიკა, ძვირფასი ლითონისა და პოლიქრომიული მინის ჭურჭელი, მაღალი ხარისხის ღვინო, ზეითუნის ზეთი და ნელსაცხებლები შემოქონდათ. მომხმარებელი ძირითადად საზ-ბის ზედაფენა იყო.

ჰ. ს-ს სავაჭრო გზებისა და საქმის ორგანიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს სტრაბონის ცნობა მდ. ფასისზე 120 ხიდის არსებობის შესახებ, აგრეთვე ძვ. წ. III ს. ბერძენი პოეტის აპოლონიოს როდოსელის ცნობა: „კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი". ზოგიერთ მეცნიერს ეს ცნობა კოლხური დამწერლობის არსებობის მოწმობადაც მიაჩნია.

ძვ. წ. IV—III სს-ში ჰ. ს. თანდათანობით დასუსტდა. ამასთან მისი აღმ. ოლქები ქართლის სამეფოს (იბერიის) პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექცა და ქართველიზაცია განიცადა. სტრაბონთან დაცული ცნობის მიხედვით, ამ დროს კოლხეთი „მეტწილად ზღვისპირასაა".

ძვ. წ. III ს-ში ცნობილია კოლხეთის მეფე აკე, რ-მაც თავისი სახელით მოჭრა ლისიმაქეს სტატერების მინაბაძი მონეტა (*იხ. აკეს სტატერი*). ძვ. წ. III—I სს-ში კოლხეთი კვლავ აქტიურად მონაწილეობს საერთაშ. ვაჭრობაში, რ-შიც ფართოდაა ჩაბმული როგორც ბარის, ასევე მთიანეთის მოსახლეობა. შეინიშნება მეურნეობის „ანტიკური ფორმების" დანერგვის ცდაც (ამზადებდნენ ამფორებს, ბერძნ. ტიპის ჭურჭელს და სხვ.).

ძვ. წ. II—I სს. მიჯნაზე კოლხეთი დაიპყრო პონტოს მეფემ მითრიდატე VI ევპატორმა. ძვ. წ. 63-იდან კოლხეთის ზღვისპირა ოლქები რომის იმპერიის პოლიტ. ზეგავლენის ქვეშ მოექცა და მათ რომაელი მოხელეები განაგებდნენ. ცნობილია პირველი ასეთი მოხელის, არისტარქეს სახელით მოჭრილი მონეტა (*იხ. არისტარქე კოლხის დრაქმა*). რომაელთა ბატონობა კოლხეთში გაგრძელდა ახ. წ. IV ს-მდე. *იხ.* აგრეთვე სტ. *ეგრისის სამეფო.*

ლიტ.: ლორთქიფანიძე ო., ან-


კოლხეთი ძვ. ნ. VI–I სს.
პიტიუნტი
(ბიჭვინთა)
დიოსკურია
(სოხუმი)
გიენოსი
(ოჩამჩირე)
ფასისი
(ფოთი)
(ვანი)
(ქუთაისი)
ბათუმი
აფსარუნტი
(ხიფა)
(ათინა)
(რიზე)
(ანაკოპია)
(ბაზილეა)
(ბაზილეა)
(ბაზილეა

ტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972; მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ წ. II — I ათასწლეულები), თბ., 1974, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Л о р д к и п а н и д з е Г., Колхида в VI—II вв. до н. э., Тб., 1978; Л о р д к и п а н и д з е О. Д., Древняя Колхида. Миф и археология, Тб., 1979; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

ო. ლორთქიფანიძე.

კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა, კ ო ლ ხ ე თ ი ს ა კ ა დ ე მ ი ა, ფასისის (ახლანდ. ფოთის) მახლობლად III—VI სს-ში არსებული უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი. მასზე ერთადერთი პირდაპირი ცნობა მოიპოვება ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დაახლ. 317—388) ერთ-ერთ წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ თემისტიოსის მამას, ევვენიოსს, და თვით თემისტიოსსაც ამ სასწავლებელში რიტორიკული განათლება მიუღიათ. არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, თუ რა პროგრამებით და რა ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ან ვინ ასწავლიდა. თემისტიოსი არ ასახელებს ჰ. უ. რ. ს-ის დამაარსებელს, თუმცა მას „ბრძენს" და „სათნოს" უწოდებს. თემისტიოსი იმასაც ამბობს, რომ ჰ. უ. რ. ს-ში მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით ისართ ტყორცნა და ოროლთ სროლა ან ჯირითი კი არ ისწავლებოდა, არამედ ამ სკოლის აღსაზრდელები რიტორიკულ ხელოვნებაში იწრთობოდნენ და ელინთა დღეობებზე ბრწყინავდნენ. ამ ცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის ჰ. უ. რ. ს-ის აღზრდილების ბერძნ. ენაში გაწვრთნილობასა და კლასიკურ ბერძნ. ლიტ-რაში საფუძვლიან განსწავლულობაზე მიუთითებს. რიტორიკულ სასწავლებელში იღებდნენ ბერძნ. ენის მცოდნე ახალგაზრდებს. ეს კი გვაფიქრებინებს მოსამზადებელი სკოლის არსებობასაც; თემისტიოსის ცნობიდან ისიც ჩანს, რომ ჰ. უ. რ. ს. თავისი შინაარსითა და მიზანმიმართულებით ძვ. ბერძნ. და რომაულ რიტორიკული სკოლებისაგან ბევრად არ უნდა განსხვავებულიყო და ცოდნის იმ მინიმუმის დაუფლებას მოითხოვდა, რაც ორატორისათვის ციცერონისა და კვინტილიანეს შეხედულებებით იყო გათვალისწინებული. ისევე როგორც რომ. რიტორიკულ სასწავლებელში, ჰ. უ. რ. ს-ში უთუოდ ასწავლიდნენ ლიტ-რას, ასტრონომიას, მუსიკას, მათ. ელემენტებს, ძირითადად კი ფილოს. და სამართ. საფუძვლებს. რიტორიკულ ხელოვნებას იმჟამინდელ საქართველოში დიდი პრაქტ. გამოყენებაც ჰქონდა. აგათია სქოლასტიკოსის (536—582) სასტორიო თხზულებაში დაცულია ცნობა ქართვ. პოლიტ. მოღვაწეების (აეტი, ფარტაზი, და სხვ.) ბრწყინვალე ორატორული გამოსვლების შესახებ, ცხადია, ეს ცოდნა კი მათ თანმიმდევრულად და საფუძვლიანი სწავლით უნდა მიეღოთ.

ლიტ.: გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს., სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975; ნ უ ც უ ბ ი ძ ე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1940, ტ. 10 B.

ს. გამსახურდია.

კოლხიდა, კ ო ლ ხ ე თ ი (Kolchis; ძვ. ქართული სახელწოდება *ეგრისი*), სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნული სახელწოდება (კოლხი ტომების სახელის მიხედვით), დამოწმებულია ძვ. წ. I ათასწლ. ბერძნ. ავტორებთან. „კოლხას" ფორმით იხსენიება უკვე ძვ. წ. VIII ს. ურარტულ წყაროებში. ძვ. წ. VI—II სს-ში ამ ტერიტორიაზე არსებობდა *კოლხეთის სამეფო*. მისი დაშლის შემდეგ, ახ. წ. I—II სს. მიჯნაზე, ჩამოყალიბდა *ეგრისის სამეფო*, რ-მაც IV ს-ში გააერთიანა მთელი ჩრდ. კოლხეთი (ახლანდ. დას. საქართვ. ტერიტორია).

კოლხიდა, სოფელი აფხ. ასსრ გაგრის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, გაგრის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: ჰ., ალპური, გაგრაფსთა, ზემო ხევი, ოტრადნოე, საქართველოს ხეობა). ზ. დ. 40 *მ*, გაგრიდან 7 *კმ*. კოლხიდის მეციტრუსეობის საბჭ. მეურნ. „სიხარული", შოთა რუსთაველის სახ. მებოსტნეობის საბჭ. მეურნეობა. საშ. და რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, კლუბი, ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია და შესწავლილია (1935—38, ხელმძღვ. ს. ზამიატნინი) ქვედა პალეოლითური (აშელური) ღია ტიპის ძეგლი. მიწის ზედაპირზე სამ პუნქტში, ზ. დ. 180 *მ* სიმაღლეზე მოპოვებულია ქვის 155 ნივთი, მ. შ. დისკოსებრი ნუკლეუსები, კლექტონის ტიპის მასიური ანატკეცები. მასალა დაცულია ლენინგრ. ანთროპოლ. და ეთნოგრ. მუზეუმში. 1970 ბიჭვინთის არქეოლ. ექსპედიციის საძიებო რაზმმა (გ. გრიგოლია, ზ. აგრბა) სოფელში აღმოაჩინა ძველი ქვის ხანის მასალა და ნეოლითური იარაღი. მასალა დაცულია ბიჭვინთის მუზეუმში.

ლიტ.: დიდი პიტუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. [წგნ.] 1, თბ., 1975; З а м я т н и н С. Н., Очерки по палеолиту, М.—Л., 1961; *მ ი ს ი ვ ე*, Палеолит Абхазии, «Труды Ин-та абхазской культуры», 1937, в. 10.

დ. თუშაბრამიშვილი.

„კოლხიდა", ქართული ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა; გამოდიოდა 1911—13 ქუთაისში. რედ.-გამომცემლები: ა. ჭუმბაძე (1911 წ., 1912 №№ 1—57), მ. ჯაფარიძე (1912 №№ 58—152, 1913 №№ 1—42). თანამშრომლობდნენ კ. აბაშიძე, გ. გველესიანი, ს. ხუნდაძე, დ. უზნაძე, ა. ჯაფარიძე; იბეჭდებოდა ა. წერეთლის, ნ. ლორთქიფანიძის, დ. მეგრელის, ნ. ჩხიკვაძის, ა. ჭუმბაძის და სხვათა ნაწარმოებები. „კ-ის" გამოცემა შეწყდა 1913 მაისში. გაზეთის დროებითი შეჩერების პერიოდში (1912 შემოდგომა—1913 ზამთარი) და დახურვის შემდეგ გამოდიოდა გაზ. „იმერეთი".

კოლხიდელი *გრიგოლ, იხ. დადიანი* **გრ.**

კოლხური თეთრი, ძვ. წ. VI—III სს. ვერცხლის მონეტა, რ-იც გავრცელებული იყო დას. საქართველოს ტერიტორიაზე. ჰ. თ-ის მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი — შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე არსებულ ბერძნ. ახალშენებს (მაგ. ფასისს). არსებობს ჰ. თ-ის რამდენიმე ტიპი და ნომინალი: ა) ტ ე ტ რ ა დ რ ა ქ მ ა, რ-ის წონაა 13 გ. მის შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ლომის თავი, ზურგზე ფრთოსანი რაშის პროტომა. ბ) დ ი დ რ ა ქ მ ა: I ტიპი. შუბლზე — მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომი; ზურგზე — მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. II ტიპი. შუბლზე ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე — ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული ადამიანის ისეთივე თავები, როგორიც მონეტის შუბლზეა. III ტიპი. შუბლზე — ხაზოვან რკალში ადამიანის თავის პროფილი; ზურგზე — ერთმანეთის საპირისპიროდ მდგარი 2 ხარი. კოლხური დიდრაქმების საშუალო წონაა 8,99—9,90 გ. გ) დ რ ა ქ მ ა: შუბლზე—ლომის თავი ფასში; ზურგზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. 5,52 გ. დ) ნ ა ხ ევ ა რ დ რ ა ქ მ ე ბ ი: I ტიპი. შუბლზე — ლომის თავის პროფილი მარჯვნივ; ზურგზე — მარჯვნივ მიმართული ბუ ლომის პროტომა. საშ. წონა — 2,17 გ. II ტიპი. შუბლზე მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული ადამიანის თავი, ზურგზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. წონა 1,2—2,6 გ. ამ ტიპის მონეტების ზოგიერთ ცალზე ამოტვიფრულია ბერძნ. ასოები.

კოლხურ მონეტებს შორის ყველაზე გავრცელებულია II ტიპის ნახევარდრაქმა, რ-იც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დას. საქართვ. ტერიტორიაზე. ჰ. თ-ის არსებობა ერთ-ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ ძვ. წ. VI—V სს-ში დას. საქართვ. მიწა-წყალზე სახელმწიფო არსებობდა.

გ. დუნდუა.

კოლხური თხილი (Corylus colchica), ბუჩქი თხილისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 1 *მ* აღწევს. ნორჩი ყლორტები მოფენილი აქვს გრძელი აბრეშუმისებრი ბუსუსებით. ნაყოფი პატარაა, კვერცხისებრი, თავფაფუჭეტილი, თითო-თითო ან რამდენიმე ერთად შეჯგუფული. ენდემია, გავრცელებულია დას. საქართველოს (კოლხეთი), მთის ზედა და სუბალპ. სარტყელში (2300 *მ*-მდე) კირქვებზე. ნაზავებზე ქმნის რაყას. ყვავილობს აპრილში, ნაყოფი სექტ-ში მწიფდება. მრავლდება თესლითა და ამონაყარით. იტანს სიცივეს, ხარობს ტენიან ნიადაგზე.

კოლხური კულტურა, გვიანდელი ბრინჯაოს — ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. — I ათასწლ. I ნახ.) არქეოლოგიური კულტურა. გავრცელებულია ძვ. კოლხეთისა და სხვა დას. ქართული ტომების (სასპერები, ტიბარენები, მაკრონები, მოსხები, მოსინიკები და სხვ.) მიწა-წყალზე (დას. საქართვ., მტკვრისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთიანეთი, სამხრ.-აღმ. შავი ზღვისპირეთი ქ. ორდუმდე). უმთავრესად ცნობილია მაღალგანვითარებული ბრინჯაოს წარმოებით და მბატკვრული ხელოსნობით. აღმოჩენილია სპილენძ-ბრინჯაოს ნაკეთობათა მრავალრიცხოვანი ე. წ. მდნობელთა და ლითონის ნივთებით მოვაჭრეთა განძები, სამარხეული ინვენტარი და მრავალი შემთხვევითი მონაპოვარი. სამაროვნები შესწავლილია აფხ. სანაპიროზე: ეშერის, კიურდერეს, პრიმორსკოეს ქვევრსამარხ-ოსუარიუმები, მუგუძირხვის და ყულანურხვის ორმოსამარხები (მ. თრაფში), სოხუმის მთის კომპლექსები (ა. კალანდაძე), რაჭაში ბრილის ორმოსამარხები, ქვაყუთები და თავისებური კრემაციული კოლექტ. სამარხები (გ. გობეჯიშვილი); კოლხეთის დაბლობზე (პალურის, მუხურჩის, ნიგვზიანის, გორაძირის) კოლექტ. სამაროვნები მეორადი დაკრძალვით (ან კრემაციით) და სხვ. კოლექტ. სამარხები განეკუთვნება ჰ. ჰ-ის ბოლო საფეხურს (ძვ. წ. VIII—VI სს.). მათში კოლხური ბრინჯაოს გვერდით მრავლადაა იმპორტული ნივთები, რაც კოლხეთის ფართო საგარეო ვაჭრობაზე მიუთითებს. ამ დროს საგრძნობლად მატულობს რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღის დამზადება. კოლხეთში გვიან ხანამდე რკინასთან ერთად ბრინჯაოს არსებობა აიხსნება ბრინჯაოს ინდუსტრიის ღრმა ტრადიციებითა და ფერად ლითონთა მდიდარი საბადოების სიმრავლით. სპილენძის მადნის ძვ. გამონამუშევრები შესწავლილია რაჭაში (გ. გობეჯიშვილი), მიკვლეულია აფხაზეთში, სვანეთში, აჭარაში. სამოსახლო ბორცვები და ნასოფლარები ცნობილია კოლხეთის დაბლობზე. დიხაგუძუბა (ა. ჭანტურია, ნ. ხოშტარია), ნაოხვამუ (გ. ნიორაძე), დაბლაგომი (ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია); ნოსირი (დ. ქორიძე), ჭალადიდი, მუხურჩა, ნამჭედური და სხვ. მაია ზოგიერთი ფენა ჰ. ჰ-ის საფეხურს განეკუთვნება, შეიცავს ძელურ და თიხალესილ ნაგებობათა ნაშთებს, კერამიკას, ქვისა და ძვლის სამეურნეო იარაღსა და ხელსაწყოს, ცხოველთა ძვლებს და სხვ. ნაწარმთა ნარჩენებს; განძებისა და სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთები ნამოსახლარებში იშვიათია, სამარხებში კი მცირეა ნამოსახლარისათვის ტიპური ჭურჭელი.

ჰ. ჰ-ფის დამახასიათებელია *კოლხური ცულები*, თოხები, სეგმენტური იარაღი, წალდები, ნამგლები, მოკლე შუბისპირები, ე. წ. ალისებური და მოგრძო ფოთლისებური სატევრისპირები, გორდაპირიანი

კოლხური თეთრი. II ტიპის კოლხური დიდრაქმა. ვერცხლი. ძვ. წ. V ს. ზემოთ—შუბლი; ქვემოთ—ზურგი.

კოლხური თხილი. მარცხნივ — ფიალამოცილებული ნაყოფი.





კოლხური კულტურა. ბრინჯაოს შუბისპირები და ხელშუბისპირები. ურეკი ძვ. წ. VIII — VII სს. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.



კოლხური სურო.

კოლხური კულტურა. ბრინჯაოს ქალღმერთის ქანდაკება. მუხურჩის სამაროვანი. ძვ. წ. VIII—VII სს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

კოლხური ცული. ბრინჯაო. ოთხარა (გუდაუთის რაიონი). ძვ. წ. VIII—VII სს. კოლხური ცული. ბზიფის გზა. ძვ. წ. VIII—VII სს. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.

და კოტებიანი ბრტყელი ცულები, მშვილდსაკინძები, აბზინდები, სარტყლები, სამაჯურები, საკისრე, საწვივე და მასიური რგოლები, საკიდები, სიტულის ტიპის ჭურჭელი, სტატუეტები, ჩამოსასხმელი ყალიბები და სხვ. ნაკეთობანი ხშირად შემკულია გრაფ. მოხატულობით, ზოგჯერ კი კოლხების რელიგიურ.-იდეოლოგიური წარმოდგენების გამომხატველი სკულპტურული გამოსახულებებით. ნამოსახლარებზე აღმოჩენილია შავი, მონაცრისფერო და მოწითალო თიხის ჭურჭელი. გვიანდ. ხანის ფენებსა და სამარხებში ჩნდება ყურმილიანი ხელადები, მაღალფეხიანი და ვიწროძირიანი სასმისები და სხვ.

ჰ. ძ-ს გენეტიკური კავშირი აქვს წინა და მომდევნო ხანის კულტურებთან, ამატომ, ფართო გაგებით, იგი მოიცავს უფრო დიდ პერიოდს, ვიდრე მხოლოდ კოლხური ბრინჯაოს აყვავების ხანაა. კულტურის ლოკალურ თავისებურებათა მიხედვით გამოიყოფა მსხვილი მეტალ. ცენტრები: აფხაზეთი, ჭოროხის აუზი, კოლხეთის დაბლობი (რიონის ჩრდ-ით), კოლხეთის ბარის აღმ. (რიონის შუაწელის აუზი) და ყვირილის აუზი. არსებობს უფრო ვიწრო საწარმოო რ-ნებად დაყოფის ცდაც. სამიწათმოქმედო იარაღის სიჭარბე ბარის რ-ნებში გამოხატავს ამ რ-ნთა მეურნეობის სპეციფიკას. კოლხური და მისი თანადროული აღმ. ქართ. კულტ. შეხვედრის ოლქებია მესხეთი და შიდა ქართული, სადაც განძებსა და სამარხებში გვხვდება შერეული კომპლექსები. კოლხური ბრინჯაოს ცალკეული ნიმუშები აღმოჩნდა უფრო შორსაც (აღმ. საქართველო, სომხეთი, ჩრდ. კავკასია, უკრაინა, ცენტრ. ანატოლია). ჰ. ძ-ს უკავშირდება *ყობანური კულტურა.*

ლიტ.: კალანდაძე ა., სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხ., 1953; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ძეამბე», 1950, ტ. 16B; Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, «Известия Гос. академии истории материальной культуры», 1935, в. 120; Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, [т.] 1—2, Тб., 1949—50; Лукин А. Л., Материалы по археологии Бзыбской Абхазии, «Труды Отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитажа», 1941, т. 1; Техов Б. З., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971; Трапш М. М., Памятники колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Сух., 1962. *ე. ფოგაძე.*

ილუსტრაცია — იხ. ჩანართი, გვ. 592.

კოლხური სურო (Hedera colchica), მცოცავი ბუჩქი *სუროს* გვარისა. აქვს მომრგვალო ან მომრგვალო-კვერცხისებრი ფორმის ტყავისებრი ფოთლები და პატარა მომწვანო ყვავილები. გავრცელებულია უფრო დას. საქართვ. ტყეებსა და ჩრდილიან ადგილებში, საქართვ. გარდა იზრდება თურქეთში (ლაზისტანი). კულტივირებულია ბაღებსა და პარკებში; მისი ფოთლები შემოდგომის დამლევს და ზამთარში სიცივისაგან ლამაზ მოწითალო იერს იღებს. ადვილად მრავლდება კალმითა და გადაწვენით. ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

კოლხური ცული, გვიანდელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის (ძვ. წ. XV—VI სს.) კოლხური კულტურის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ბრინჯაოს იარაღი, რ-საც ექვსწახნაგა ტანი და წვეტიანოვალური სატარე ხვრელი აქვს. ჰ. ც-ის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მოცემული აქვთ რ. ვირხოვს, ე. შანტრს, პ. უვაროვას, ფ. ჰანჩარს, ო. ჯაფარიძეს, ე. კრუპნოვს, დ. ქორიძეს და ბ. ტეხოვს. ჰ. ც. უნიერს. იარაღი იყო. იყენებდნენ როგორც სამეურნეო ცხოვრებაში, ისე საომრად. გრაფ. დეკორით შემკულ ცულებს საომარი და საკულტო დანიშნულება ჰქონდა. ჰ. ც-მა განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ძვ. წ. II—I ათასწლ. მიჯნაზე იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და არსებითად არ შეცვლილა. ჰ. ც. გვხვდება სამარხებში (თლი, ყობანი, პალური, მუხურჩა, ყულანურხვა, ოჟორა), განძებში (ორდუ, ბიჭვინთა, ლიხნი, ოყურეში და სხვ.). სულ 100-ზე მეტი განძია. ნაწილი შემთხვევითაა აღმოჩენილი. ყველაზე ადრეული ჰ. ც-ის შემცველი განძებია ურეკის, პილენკოვოს, ბიჭვინთის, გაგრის, ერგესი, მახუნცეთისა და სხვ. ძვ. წ. IX ს. II ნახევრიდან ჩნდება გრაფ. დეკორით შემკული სამარი საკულტო ჰ. ც-ებიც. დეკორი პლასტ. ფორმასთან ორგანულადაა შერწყმული. სხვადასხვა ზომის წახნაგზე დეკორი სიმეტრიულადაა განაწილებული და ერთ მთლიან კომპოზიციად აღიქმება. გამოსახულია ირემი, ცხენი, ძაღლი, გველი, თევზი, ბაყაყი, ფრინველი, სვასტიკა, ჯვარი, ვარსკვლავი და სხვ. ყუის თავზე ზოგჯერ მოთავსებულია სკულპტურული გამოსახულება. ჰ. ც-ის გრაფ. დეკორში ასახულია უძველესი ქართ. რელიგ. და მითოლ. წარმოდგენები.

გრავირებული ჰ. ც-ები (ძვ. წ. IX ს.) ბრინჯაოს სხვა ნივთებთან ერთად პირველად აღმოჩნდა 1869 ყობანში (ჩრდ. ოსეთი). აღმოჩენის ადგილის მიხედვით ეწოდა ყობანური ცული, ხოლო შესაბამის კულტურას — ყობანური კულტურა. შემდეგ წლებში დას. და აღმ. საქართვ. ტერიტორიაზე მიკვლეულია ჰ. ც-ის ყველა ფორმა (ძვ. წ. XV—VI სს.), მ. შ. ყობანში აღმოჩენილი ცულის ვარიანტიც. აღსანიშნავია, რომ ჰ. ც-ის ჩამოსასხმელი ყალიბები მხოლოდ საქართვ. ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (*თაგილონის განძი, თელოვნის განძი*), 30-იან წლებში მას ჰ. ც. უწოდეს. დაადგინეს (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, თ.მიქელაძე), რომ ამ ცულების სამშობლო კოლხეთია.

ლიტ.: მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები), თბ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16B; Куфтин Б. А., К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, იქვე, 1944, ტ. 12B; Техов Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971. *ლ. ფანცხავა.*

კოლხური ხოხობი (Phasianus colchicus), (Phasis—მდ. რიონის ძვ. სახელწოდებიდან), ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა. მამლის მასა 1600 გ აღწევს, დედლისა — 800 გ. აქვთ კარგად განვითარებული ფეხები, მოკლე მომრგვალებული ფრთები, გრძელი ბოლო (განსაკუთრებით მამალს). მამალს გალოზე დეზები აქვს და მეტად ლამაზი, მკვეთრი შეფერილობით გამოირჩევა. აღწერილია ჰ. ხ-ის მრავალი ქვესახეობა, რ-თაგან სსრკ ფარგლებში გვხვდება 13. ჰ. ხ. გავრცელებულია უთოვლო ან მცირეთოვლიან და რბილ კლიმატიან ზოლში პალეარქტიკის სამხრ. ნაწილში. აკლიმატიზებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საქართველოში წინათ გავრცელებული ყოფილა კოლხეთის დაბლობზე, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ჭალებში. ბევრ ადგილას კვლავ ინტენსიურად მრავლდება. ბინადრობს ჭალის ტყეებში, მცენარეულობით მდიდარ წყალსატევების სანაპირო დაბლობებზე, ზ. დ. 850 *მ*-მდე. ბუდეს იკეთებს ხმელი ფოთლებითა და ბალახით მიწის პატარა ჩაღრმავებაში. დებს 8—12, ზოგჯერ 18 კვერცხს. ბუდეზე ზის მხოლოდ დედალი. ცუდად ფრენს. საშიროების შემთხვევაში გარბის. იკვებება ძირითადად მცენარეულობით, უფრო სარველათა თესლით, ნაყოფით, ვეგეტატიური ნაწილებით, აგრეთვე მწერებით. სასარგებლო ფრინველია. *მ. კუტუბიძე.*

კოლხური ხოხობი. დედალ-მამალი.

კოლხური ჯონჯოლი (Staphylea colchica), ბუჩქი ან ტანდაბალი (5 *მ*-მდე სიმაღლის) ხე ჯონჯოლისებრთა ოჯახისა. აქვს გრძელყუნწიანი, სამ- ან ხუთფოთოლა-კიანი ფოთლები. გავრცელებულია ბალკანეთსა და მცირე აზიაში. საქართველოში ძირითადად კოლხეთში იზრდება; გვხვდება აგრეთვე ბანისხევში (ბორჯომთან). იზრდება ზ. დ. 700—800 *მ*-მდე, ტყის პირებზე, წაბლნარებსა და მუხნარებში ქვეტყედ. ზოგჯერ კულტივირებულია ბოტან. ბაღებში (მაგ., თბილისის ბოტან. ბაღში). ყვავილობს მაისში, მსმოიარობს ივლისში. ჰ. ჯ-ის გაუშლელ ყვავილებს ამწნილებენ.

კოლპაპური, ქალაქი ინდოეთში, მაჰარაშტრის შტატში, დას. გატების აღმ. კალთებზე. 259 ათ. მცხ. (1971). რკინიგზის სადგ., საავტ. გზების კვანძი. ბამბეულის, შაქრის მრეწვ., ლითონდამუშავება, ხ-ეტყის ხერხვა. ქალაქის მახლობლად არის ბოქსიტების დიდი საბადო. რელიგ. ცენტრი. ჰ-ის მიდამოებში ძვ. ბუდისტური ტაძრებია.

კომა (ბერძნ. koma — ღრმა ძილი, თვლემა), კომატოზური მდგომარეობა, მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობა — ცნობიერების ღრმა დარღვევა და გარე გამღიზიანებლებზე ორგანიზმის რეაქციის მკვეთრი შესუსტება ან სრული დაკარგვა. ახასიათებს რეფლექსების თანდათანობითი მოშლა სრულ გაქრობამდე, სუნთქვის სიღრმისა და რიტმის დარღვევა, მაჯისცემის შენელება ან აჩქარება, ტემპ.-რული რეგულაციის მოშლა, არტერიული სისხლის წნევის დაცემა და ა. შ. ჰ. ვითარდება თავის ტვინის ქერქის, ქერქქვეშა მიდამოსა და ცენტრ. ნერვული სისტემის უფრო დაბალი უბნების ღრმა შეკავების შედეგად, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევის, თავის ტრავმის, ანთების (ენცეფალიტი, მენინგიტი, მალარია) და სხვ. დროს; შეიძლება გამოიწვიოს მწვავე მოწამვლამ (მაგ., ბარბიტურატებით) ან განვითარდეს შაქრიანი დიაბეტის (იხ. სტ. *დიაბეტი შაქრიანი*), *ურემიის* (ურემიული ჰ.) და ჰეპატიტის დროს. ამასთან ნერვულ ქსოვილში ირღვევა *ტუტე-მჟავური წონასწორობა,* ვითარდება ჟანგბადის შიმშილი და სხვ. ჰ-ს წინ უძღვის პრეკომატოზური მდგომარეობა.

მკურნალობა: ჰ-ის გამომწვევი მიზეზის ლიკვიდაცია, ტუტე-მჟავური წო-



კომა. ნახ. 1. კომა მარტივ ოპტიკურ სისტემაში პარალელური სხივების კონის გაელისას: ა. სისტემის ცენტრში ω კუთხით გამავალი სხივი ფოკალური FF′ სიბრტყეს კვეთს O წერტილში. ღერძის მიმართ სიმეტრიული A_1, A_1', A_2, A_2' ... წერტილებში გამავალ სხივებს სისტემა კრებს არა O წერტილში, არამედ O_1 O_2,... წერტილებში, რომლებიც O-დან დაშორებულია $d=p_d$ პროპორციული მანძილით (d არის იმ წერტილების დაშორება ღერძიდან, რომლებშიც სხივი გადაკვეთს სისტემას); ბ—გაბნევის ლაქა, რომელიც დაიკვირვება ფოკალურ სიბრტყეში წერტილოვანი O გამოსახულების ნაცვლად.

ნასწორობის აღსადგენი საშუალებები, *კოლაფსის* ლიკვიდაცია, სუნთქვის აღდგენა, ჟანგბადის შიმშილთან ბრძოლა.

კომა (ბერძნ. komē — თმა), ოპტიკური სისტემის აბერაციის ერთ-ერთი სახე. კ. მდგომარეობს იმაში, რომ ოპტ. სისტემის თითოეული უბანი, რ-იც მისი ღერძიდან *d* მანძილითაა დაშორებული (რგოლური ზონა), მნათი წერტილის გამოსახულებას იძლევა რგოლის სახით. მისი რადიუსი მით უფრო მეტია, რაც მეტია *d*; რგოლების ცენტრები ერთმანეთს არ ემთხვევა, რის შედეგადაც მათი ზედდება, ე. ი. სისტემის მიერ მთლიანად მოცემული წერტილის გამოსახულება, მიიღებს გაბნევის არასიმეტრიული ლაქის სახეს (ნახ. 1); ლაქის ზომები პროპორციულია სისტემის კუთხური აპერტურის კვადრატისა და სისტემის ღერძიდან წერტილ-ობიექტის დაშორებისა. კ. ძალიან დიდია პარაბოლურ რეფლექტორებში (ნახ. 2).

კომა (ბერძნ. komma—მონაკვეთი), მუსიკალურ აკუსტიკაში — ინტერვალი, მთელი ტონის დაახლ. 1/9—1/10.

კომაგატაკე, მოქმედი ვულკანი ოსიმის ნ.-კ-ზე, იაპონიაში (კ. ჰოკაიდო). სიმაღლე 1140 *მ*. ძლიერი ამოფრქვევა მოხდა 1640, 1856, 1929, 1942 წლებში.

კომანდელი, სოფელი ონის რ-ნში (ონის საქალაქო საბჭო), მდ-ების რიონისა და ჯეჯორის შესართავთან. ზ. დ. 880 *მ*, ონიდან 2 *კმ*. შეუბნის მეცხოველეობის საბჭ, მეურნეობა, სამ. სკოლა ონში. ბ-კა. კ-ში არის მინერ. წყარო. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზე (XVIII ს.) აღნიშნულია გამყრელიძის სახელწოდებით. კ-ში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ციხის ნანგრევები.

კომანდიტური ამხანაგობა, იხ. სტ. *ამხანაგობა*.

კომანდორის კუნძულები, ოთხი კუნძული წყნარი ოკეანისა და ბერინგის ზღვის საზღვარზე, კამჩატკის ნ.-კ-იდან აღმ-ით 200 *კმ*-ზე, რსფსრ კამჩატკის ოლქში. შედის ბერინგის კ., კ. მედნი და ორი პატარა კუნძული — ტოპორკოვ-ოსტროვი და კლდე არიი-კამენი. საერთო ფართო. 1848 *კმ*². აგებულია ბაზალტებითა და ანდეზიტებით. რელიეფი მთიანია, სიმაღლე 751 *მ*-მდე. ხშირია მიწისძვრა. ნაპირები კლდოვანია, სუსტად დანაწევრებული. ჰავა ოკეანის. აგვ. საშ. ტემპ-რა 10°C, თებ. დაახლ. —4°C. ნალექები დაახლ. 500 *მმ* წელიწადში. კუნძულებზე უმთავრესად მდელოები და მთის ტუნდრაა. ზოგ ხეობაში ქვის, არყის, ცირცელისა და ტანდაბალი ტირიფის (1—2 *მ* სიმაღლის) რაყებია. ნაპირებთან იზრდება წყალმცენარეები. კუნძულთა სანაპიროებზე „ფრინველთა ბაზრები" და ზღვის კატებისა და ზღვის ძაღლების თავშესაყარია. აღმოაჩინა კომანდორმა ვ. *ბერინგმა* 1741. სახელი ეწოდა მის პატივსაცემად.

კომანდოსი (ინგლ. commandos, მრ. რ.), 1. ბური შეიარაღებული მოლაშქრეების პატარა-პატარა რაზმები XIX ს. ბოლოს. იბრძოდნენ ადგილ. აფრ. მოსახლეობის წინააღმდეგ და *ინგლისელებისა* და *ბურების ომში* (1899—1902). 2. II მსოფლიო ომის (1939—45) დროს დიდი ბრიტ. შეიარაღებულ ძალებში კ-ის სახელწოდება მიენიჭა სადაზვერვო-დივერსიული მოქმედებისათვის განკუთვნილ სპეც. რაზმებს. მათი ყველაზე ცნობილი ოპერაციებია: რეიდები ნორვეგიისა და საფრ. სანაპიროებთან, ალპრეკისა და დიეპის რ-ნებში (1942 წ. 19 აგვ.), ხმელთაშუა ზღვაში — კ. კრეტაზე და ტობრუკში, თავდასხმა რომელის შტაბზე. II მსოფლიო ომის შემდეგ კ. შემორჩა დიდი ბრიტ. სამხ.-საზღვ. ძალებში.

კომანჩები, ჩრდ. ამერიკის სამხრ.-დას. ვილებში მცხოვრები ინდიელი ტომი. XVIII—XIX სს-ში მისდევდნენ მომთაბარე მეცხვნეობასა და ბიზონებზე ნადირობას. რაოდ. დაახლ. 30 ათ. კაცი. XIX ს-ში გმირულად ებრძოდნენ კოლონიზატორებს. 1875 კ-ის წინააღმდეგობა გატეხეს, ცოცხლად დარჩენილები (დაახლ. 1400 კაცი) ოკლაჰომის რეზერვაციებში გადაასახლეს. თანამედროვე კ. (1970 წლისათვის 6 ათ. კაცი) ძირითადად დაქირავებული მუშები არიან.

კომაროვი ვლადიმერ ლეონტის ძე [1 (13). X. 1869, პეტერბურგი, — 5. XII. 1945, მოსკოვი], საბჭ. ბოტანიკოსი და გეოგრაფი, საზ. მოღვაწე, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1920), ვიცე-პრეზიდენტი (1930—36) და პრეზიდენტი (1936—45). სოციალ. შრომის გმირი (1943). ხელმძღვანელობდა ბოტან. ექსპედიციებს შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში, მანჯურიასა და კორეაში, აღმ. საიანებში, კამჩატკაზე, სადაც შეაგროვა დიდძალი მასალა. მისი ძირითადი შრომები ეხება ფლორისტიკას, მცენარეთა სისტემატიკასა და გეოგრაფიას, მცენარეული სამყაროს ევოლუციასა და სისტემატიკის თეორიას. მისივე თაოსნობით და რედაქტორობით გამოიცა (1934—64) 30-ტომიანი „სსრკ ფლორა", სახელმწ. პრემია (1941, 1942). კ-ის სახელი ეწოდა სსრკ მეცნ. აკად. ბოტან. ინ-ტს, სსრკ მეცნ. აკად. შორეული აღმოსავლეთის სამეცნ. ცენტრის მთა-ტაიგის სადგურს. დაწესდა სსრკ მეცნ. აკად. კომაროვის სახელობის პრემია. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით და მედლებით.

კომაროვი ვლადიმერ მიხეილის ძე (16. III. 1927, მოსკოვი, — 24. IV. 1967), სსრკ კოსმონავტი მფრინავი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (19. X. 1964 და 24. IV. 1967), სკკპ წევრი 1952-იდან. დაამთავრა მოსკ. სამხ. საჰაერო ძალების სპეც. სკოლა (1945), ბატაისკის სამხ.-საავიაციო სასწავლებელი (1949) და ნ. ჟუკოვსკის სახ. სამხ.-საჰაერო საინჟინრო აკადემია (1959). 1960-იდან კოსმონავტთა რაზმშია. მსოფლიოში პირველად (კ. *ფეოქტისტოვსა* და ბ. *ეგოროვთან* ერთად) იფრინა კოსმოსში მრავალადგილიან კოსმ. ხომალდ „ვოსხოდით", იყო მისი პილოტი. ხომალდი ორბიტაზე გავიდა 1964 წ. 12 ოქტ., 16-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და გაიარა 700 ათ. *კმ*-ზე მეტი. ხომალდთან დამყარებული იყო ორმხრივი კავშირი. კ. დაიღუპა ახ. კოსმ. ხომალდ „სოიუზ-1-ზე" საცდელი ფრენის დამთავრებისას. დაკრძალულია წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან. კ-ის სახელი უწოდეს მთვარის უკანა მხარის კრატერს.

კომარომი (Komárom), მეგიე ჩრდ. უნგრეთში. ფართ. 2254 *კმ*². მოსახლ. 312 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. ტატაბანია. კ. ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სამრეწვ. რ-ნია. მის წილად მოდის მთელი ქვეყნის ელექტროენერგიისა და ალუმინის წარმოების დაახლ. 1/5, ქვანახშირის მოპოვების 1/4-ზე მეტი, თიხამიწის წარმოების 1/2-ზე და ცემენტის წარმოების 1/3-ზე მეტი. ქიმ., მანქანათსაშ., ნავთობგადასამუშ. მრეწველობა. კიშალფელდში მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, შაქრის ჭარხალი, მთაში — ჭვავი, შვრია და კარტოფილი. განვითარებულია მებაღეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვნეობა.

კომახიძე მამია ესედის ძე [12 (25). XI. 1906, ბათუმი,—4. XI. 1980, თბილისი], ქართველი საბჭ. ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1948), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1971). სკკპ წევრი 1937-იდან. 1930 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ა. ნათიშვილთან, გ. მუხაძესთან, ვ. ტონკოვთან (1934), ს. ყუდინთან (1939). 1937 იყო აჭარის ასსრ ჯანდაცვის სახ. კომისარი. 1946—56 განაგებდა საქ. სსრ მეცნ. აკად. ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტის ექსპერ. ანატ. განყ-ბას, 1960—80 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრას. 1961—71 იყო საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ქირურგი. კ. ძირითადად შეისწავლიდა მიკროცირკულაციის პრობლემებს, მუცლის ღრუს ორგანოების ქირურგ. დაავადებათა კლინიკას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, პერიფერიული და ცენტრ. ნერვული სისტემის ტრავმულ დაზიანებებს და სხვ.

1973—80 კ. იყო საქ. სსრ ქირურგ. სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. 1971 მიენიჭა ივ. *თარხნიშვილის* სახ. პრემია, 1975 — საქ. სსრ სახელმწ. პრემია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით.

თხზ: მუცლის ტრავმული დაზიანება, თბ., 1973 (თანაავტ.: თ. ახმეტელი, გ. ხომერიკი); ჰოსპიტალური ქირურგია, ტ. 1—2, თბ., 1969—70; Опухоли кишечника, Тб., 1972 (თანაავტ.: Г. В. Хомерики); Селезенка, М., 1971.

კომბაინი (ინგლ. combine, სიტყვასიტყვით —შეერთება), მანქანური აგრეგატი, იმ მუშა მანქანების ერთობლიობა, რ-ებიც ერთდროულად ასრულებენ რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ოპერაციას. კ-ით შესრულებული ოპერაციების ციკლი მთავრდება მზა პროდუქციის გამოშვებით. კ-ებს ფართოდ იყენებენ სოფ. მეურნეობასა და სამთო საქმეში. ვრცელდება საკვების მოსამზადებელი კ-ები.

კომბარელი (Les Combarelles), ზედა პალეოლითის ხანის ნამოსახლარი კ-ის გამოქვაბულში, რ-იც მდებარეობს ლეზ-ეზისთან, დორდონის დეპარტამენტში (საფრანგეთი), 1901 ვიწრო გამოქვაბულის (სიგრძე 237 *მ*) კედლებზე აღმოაჩინეს 400-ზე მეტი გრავირებული გამოსახულება (მამონტები, მარტორქები, ცხენები, ზუბრები, ირმები, ალპური ლომები და სხვ.) და ანთროპომორფული ფიგურები.

კომბატანტები (ფრანგ. combattant—მეომარი, მებრძოლი), მ ე ბ რ ძ ო ლ ე ბ ი, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პირები, რ-ებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბრძოლაში. კ-ს მიეკუთვნებიან აგრეთვე ლაშქრის, მოხალისეთა რაზმების მთელი პირადი შემადგენლობა, წინააღმდეგობათა მოძრაობის მონაწილენი, აგრეთვე მოსახლეობა, რ-მაც სტიქიურად მოკიდა ხელი იარაღს მტრის მოახლოებისას. კ-ად არ ითვლებიან, ე. ი. არაკომბატანტები არიან სამხ. ჟურნალისტები, სამედ. საინტენდანტო, სამხ.-იურიდ. და სხვ. მომსახურე პერსონალი. არაკომბატანტებზე ვრცელდება ომის კანონები და ჩვეულებები, თუ მათ აქვთ სათანადო სამხ. ხელისუფლების მოწმობა. კ-ისა და არაკომბატანტების შესახებ არსებული წესების დარღვევა განიხილება როგორც საერთაშ. დანაშაული.

კომბინატი (გვიანდ. ლათ. combinatus — შეერთებული <combino — ვაერთიანებ), სსრკ-ში ისეთი საწარმოების გაერთიანება, რ-თაც, როგორც წესი, არა აქვთ იურიდიული დამოუკიდებლობა და მათ მართავს სათავო საწარმოს დირექცია; საწარმო, რ-იც აერთიანებს სხვადასხვა დარგის ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ ისეთ სპეციალიზებულ წარმოებებს, რ-ებიც თანამიმდევრულად ან კომპლექსურად ამუშავებენ ნედლეულს, წარმოების ნარჩენებს ან თანაპროდუქტებს (იხ. *კომბინირება* მრეწველობაში); ერთი დარგის ტექნოლოგიურად დამოუკიდებელი საწარმოების ადმ. გაერთიანება (მაგ., კომბინატი ქვანახშირის მრეწველობაში); ტექნოლოგიურად დამოუკიდებელი წვრილი საწარმოების გაერთიანება (მაგ., კომუნ.-საყოფაცხოვრებო მომსახურების კ., რაისამრეწვ. კ. და სხვ.).

კომბინატორიკა, 1. იგივეა, რაც მათემატიკური *კომბინატორული ანალიზი*. 2. ელემენტარული მათემატიკის დარგი, დაკავშირებული იმ რიცხობრივი კომბინა-

კოლხური ჯონჯოლი. ტოტი ყვავილედით; მარჯვნივ—ნაყოფი.



კომა. ნახ. 2. კომის ეფექტი პარაბოლურ სარკეში.

ვ. ლ. კომაროვი.



ვ. მ. კომაროვი.



მ. კომახიძე.

ციების შესწავლასთან, რ-ებიც შეიძლება შევადგინოთ ობიექტთა მოცემული სასრული სიმრავლიდან, როდესაც ეს კომბინაციები ამა თუ იმ პირობას აკმაყოფილებს. კ-ის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმულებია:

1. წ ყ ო ბ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი. დავუშვათ, რომ გვაქვს განსხვავებული n საგანი. რამდენი ხერხით შეიძლება ამოვარჩიოთ მათგან m საგანი (თუ გავითვალისწინებთ რიგს, რ-ითაც ამოირჩევა საგნები)? საძებნი რიცხვი განისაზღვრება ფორმულით:

$$A_n^m = n(n-1)\,(n-2)\ldots(n-m+1),$$

სადაც A_n^m რიცხვს უწოდებენ წყობათა რიცხვს n ელემენტიდან m ელემენტად.

2. გ ა დ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი. განვიხილოთ ამოცანა: რამდენი ხერხით შეიძლება დავადგინოთ n განსხვავებული საგნების თანამიმდევრობის რიგი? ეს რიცხვი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P_n = 1 \cdot 2 \cdot 3 \cdot \ldots \cdot n = n!$$

(ნიშანი $n!$ იკითხება ასე: „n ფაქტორიალი", მოსახერხებელია ჩავთვალოთ, რომ $0!=1$). P_n-ს ეწოდება n ელემენტის გადანაცვლებათა რიცხვი.

3. ჯ უ ფ თ ე ბ ა თ ა რ ი ც ხ ვ ი. ვთქვათ გვაქვს n განსხვავებული საგანი, რამდენი ხერხით შეიძლება ამოვარჩიოთ მათგან m საგანი (რიგს, რ-ითაც საგნები ირჩევა მნიშვნელობა არა აქვს). საძებნი რაოდენობა განისაზღვრება ფორმულით:

$$C_n^m = \frac{n(n-1)\,(n-2)\ldots(n-m+1)}{1 \cdot 2 \cdot 3 \cdot \ldots \cdot m} = \frac{n!}{m!(n-m)!}$$

C_n^m რიცხვს უწოდებენ ჯუფთებათა რიცხვს n ელემენტიდან m ელემენტად.

A_n^m, P_m და C_n^m რიცხვები დაკავშირებულია $A_n^m = P_m\, C_n^m$ ფორმულით.

კომბინატორული ანალიზი, კ ო მ ბ ი ნ ა ტ ო რ უ ლ ი მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა, კ ო მ ბ ი ნ ა ტ ო რ ი კ ა. მათემატიკის დარგი, რ-იც სწავლობს ნებისმიერი ბუნების სასრული სიმრავლეების ნაწილების განაწილებისა და ურთიერთგანლაგების საკითხებს. კომბინატორული ხასიათის იდეებს ფართოდ იყენებენ მათ. სხვადასხვა დარგში. არსებობს კ. ა-ის პრობლემათა სამი ტიპი:

1. გ ა დ ა თ ვ ლ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი თ ადგენენ სასრული რაოდენობის ობიექტის მქონე სიმრავლის შესაძლებელ წყობათა რიცხვს სხვადასხვა პირობის დროს.

2. ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა დ ა ა გ ე ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი თ არკვევენ არსებობს თუ არა სასრული სიმრავლის ნაწილების კონფიგურაცია, რ-იც აკმაყოფილებს ამა თუ იმ პირობას, და თუ არსებობს, როგორი უნდა იყოს იგი.

3. ა მ ო რ ჩ ე ვ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი თ იკვლევენ პირობებს, რ-თა დროსაც შეიძლება ქვესიმრავლის ან სიმრავლის ნაწილების რაიმე ერთობლიობის ამორჩევა ისე, რომ შესრულდეს ოპტიმალური ხასიათის მოთხოვნები.

ლიტ.: Риордан Дж., Введение в комбинаторный анализ, пер. с англ., М., 1963.

კომბინატორული ლოგიკა, სიმბოლური ლოგიკის დარგი, რ-ის ძირითადი ამოცანაა ჩანაცვლების პროცესისა და ცვლადების გამოყენების ფუნქციის ცნების ანალიზი და ლოგიკის ისეთი სისტემის განვითარება, რ-შიც თავიდან არის აცილებული ცვლადისა და ჩანაცვლების პროცედურის გამოყენება. კ. ლ-ის პრობლემატიკა ძირითადად გამოკვლეულია მ. შეინფინკელისა და ჰ. კარის შრომებში.

ლ. მჭედლიშვილი.

კომბინატორული ტოპოლოგია, *ტოპოლოგიის* დარგი, რ-იც გეომეტრიული ფიგურების ტოპოლოგიურ თვისებებს შეისწავლის მათი უფრო ელემენტარულ ფიგურებად დაშლის (მაგ., *პოლიედრის* დაშლა *სიმპლექსებად*) ან სიმრავლეთა სისტემების დაფარვის საშუალებით. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია საკმაოდ ფართო კლასის გეომ. ფიგურებისათვის.

ლიტ.: Александров П. С., Комбинаторная топология, М.—Л., 1947.

კომბინაცია (გვიანდ. ლათ. combinatio — შეერთება), 1. რისიმე ურთიერთშეთანხმება, შეერთება, გარკვეული წესით განლაგება. 2. ხერხთა ერთობლიობა რთული ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ., ჰ. ფეხბურთში, ჭადრაკში და სხვ.). 3. ხრიკები, წინასწარ განზრახული მანევრი ანგარების ან სხვა ბინძური მიზნით (მაგ., კომერც. ჰ., პოლიტ. ჰ.). 4. ქალის პერანგი.

კომბინირება მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა შ ი, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმა, რ-იც ემყარება საწარმოში სხვადასხვა წარმოებათა ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ შეერთებას. ჰ. მრეწველობაში ურთიერთკავშირშია სამრეწვ. წარმოების კონცენტრაციასთან, სპეციალიზაციასა და კოოპერირებასთან. იგი ხელს უწყობს წარმოების ეფექტურობის ამაღლებას, საწარმოო ძალების რაციონალურ გაადგილებას და ტერიტ. სამრეწვ. კომპლექსების განვითარებას.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, ჰ. არის „...ერთ საწარმოში მრეწველობის სხვადასხვა დარგთა გაერთიანება, რომლებიც ან ნედლი მასალის დამუშავების თანამიმდევარ საფეხურებს წარმოადგენენ (მაგალითად, თუჯის გამოდნობა მადნისაგან და თუჯის გარდაქმნა ფოლადად, შემდეგ კი, შეიძლება, ამა თუ იმ მზა პროდუქტის წარმოება ფოლადისაგან), — ან ერთმანეთისადმი დამხმარე როლს ასრულებენ (მაგ., ნარჩენების ან თანაპროდუქტების გადამუშავება; საფუთავი საგნების წარმოება და ა. შ.")." (იხ., გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 244—245).

მრეწველობაში ჰ-ის პრიმიტ. ფორმები წარმოიშვა კაპიტალ. წარმოების ადრეულ სტადიაზე. მეცნ.-ტექ. რევ. პირობებში წარმოების კონცენტრაცია და ჰ. მრეწვ. განვითარების ძირითადი ტენდენციაა. კაპიტალიზმის დროს მრეწველობაში ჰ-ის განვითარებას აფერხებს საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება, წარმოების ანარქია და კონკურენცია.

სოციალიზმის დროს საწარმოო საშუალებების საერთო-სახ. საკუთრებაში გადასვლასთან ერთად შეიქმნა პირობები მრეწველობაში ჰ-ის გეგმაზომიერად განხორციელებისათვის მატერ., შრომითი და ფინანს. რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისა და საზ. წარმოების ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

მრეწველობაში ჰ. ხორციელდება სამი ფორმით: პროდუქციის დამუშავების თანამიმდევრული სტადიების შეხამებით, ნედლეულის კომპლ. გამოყენებით და ნარჩენების გამოყენებით.

ჰ. ყველაზე ეფექტურია მეტალურგიაში, ქიმ., ნავთობგადამამუშ., მსუბუქ, კვების, ხე-ტყისა და ხის დამმუშ. მრეწველობაში.

კომბინირებულ საწარმოებში ხელსაყრელი პირობები არსებობს მეცნ. და ტექ. უახლესი მიღწევების დანერგვისა და უწყვეტი ტექნოლ. პროცესების ორგანიზაციისათვის, აგრეთვე საწარმოო ციკლის შესამცირებლად. კომბინატებში ეკონ. ეფექტურობას აღწევენ ხვედრითი კაპიტ. დანახარჯის, ერთეული პროდუქციის წარმოების მიმდინარე დანახარჯის, სატრანსპ., სარეალიზაციო და მართვის ხარჯების შემცირებით. კომბინატებში სხვადასხვა დარგის პროდუქციის საწარმოებლად იყენებენ ენერგეტ., სარემონტო, სატრანსპ., სასაწყობო და სხვა დამხმარე სამსახურებს, რ-თა მეშვეობით მცირდება წარმოების ხვედრითი დანახარჯი.

სსრკ-ში დასახულია მრეწველობაში ჰ-ის შემდგომი განვითარების, მსხვილი გაერთიანებებისა და კომბინატების შექმნის ღონისძიებანი (იხ. აგრეთვე *წარმოების კონცენტრაცია, კოოპერირება* მრეწველობაში, *წარმოების სპეციალიზაცია*).

კომბინირებული კინოგადაღება, *კინოგადაღების* ხერხი (მეთოდი), რ-იც საშუალებას იძლევა ერთ გამოსახულებაში გაერთიანდეს გადაღების ადგილითა და დროით, აგრეთვე მასშტაბური თანაფარდობითა და სივრცული მდებარეობით განსხვავებული ობიექტები. ჰ. ჰ-ის საშუალებით შეიძლება ეკრანზე გრანდიოზული ნაგებობების ჩვენება, ისეთი სცენების შექმნა, რ-თა ჩვეულებრივი ხერხით გადაღება შეუძლებელია (მსახიობების სიცოცხლისათვის მოსალოდნელი საშიშროებისა და სხვა მიზეზების გამო). ჰ. ჰ-ის მეშვეობით აკეთებენ აგრეთვე წარწერებსა და სამონტაჟო გადასვლებს კინოფილმში.

კომბინირებული ლუწობა, იხ. სტ. ლუწობა.

კომბინირებული საკვები, სასოფლო-სამეურნეო ცხოველების საკვებთა ნარევი, რ-იც შედგენილია მეცნიერულად დასაბუთებული რეცეპტების მიხედვით. ამზადებენ 3 სახის კ. ს-ს: სრულულუფოვანს, კ. ს.-კონცენტრატს და ცილოვან-ვიტამინოვან-მინერ. დანამატს. სრულულუფოვანი კ. ს. განსაზღვრული შეფარდებით შეიცავს ცხოველისათვის საჭირო ყველა აუცილებელ საყუათო ნივთიერებას და წარმოადგენს ულუფას. მასზე სხვა საკვების დამატება აღარ არის საჭირო.

კ. ს. მზადდება სახელმწ. და საკოლმეურნეობათშორისო კომბსაკვების ქ-ნებში, ან უშუალოდ მეურნ. საკვებ საამქროებში. ამზადებენ ფქვილისებრი ნარევის, გრანულების, ბრიკეტების სახით.

კომბინირებული საკვების მრეწველობა, კვების მრეწველობის დარგი, რ-იც აწარმოებს კომბინირებულ და ცილავიტამინოვან დამატებითს საკვებს. კომბინირებული საკვების სამრეწვ. წარმოება ათავისუფლებს მეცხოველეობის დარგს საკვების წინასწაოი შემზადების მთელი რიგი პროცესებისაგან. ამასთან, იგი მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი პირობაა. სსრკ-ში კ. ს. მ. შეიქმნა პირველ ხუთწლედში. განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა ბოლო 20 წლის მანძილზე. კ. ს. მ. ამზადებს 3 სახის კომბინირებულ საკვებს: სრულ რაციონს, კომბინირებულ საკვებს — კონცენტრატსა და ცილავიტამინოვან მინერ. დამატებითს საკვებს ფქვილის, გრანულებისა (მარცვლების) და ბრიკეტების სახით. კ. ს. მ. ითვალისწინებს ცხოველური წარმოშობის დეფიციტური საკვების შეცვლის ფართო შესაძლებლობას მცენარეული ცილოვანი საკვებით, საკვები საფუარებით, შეუცვლელი ამინმჟავებით. კომბინირებული საკვების თანამედროვე ქ-ნები მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოებია. 1973 იანვრისათვის სსრკ-ში იყო 561-ზე მეტი ასეთი საწარმო და საამქრო, საქ. სსრ-ში — 13 (1976).

კომბინირებული სისტემა ს ა მ შ ე ნ ებ ლ ო მ ე ქ ა ნ ი კ ა შ ი, ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების სისტემა, რ-იც მიღებულია ბრტყელი ან სივრცული სტატიკურად რკვევადი და ურკვევი სისტემების შეუღლებით. ჰ. ს-ში კონსტრ. ელემენტების ერთი ნაწილი ძირითადად მუშაობს *გაჭიმვა* და *კუმშვაზე*, მეორე კი — *განივ ღუნვაზე*. ჰ. ს-ში უფრო ხშირად იყენებენ განმბჯენიანი სისტემისა (თაღი, კიდული სისტემა) და უგანმბჯენო სისტე-

მის (კოჭი, წამწე) კომბინაციას (ნახ. 1), რ-ის დროს ერთი სისტემის ღირსებები აწონასწორებს მეორის ნაკლს (ნახ. 2-ზე ნაჩვენები კონსტრუქცია 3 თაღისა და ბადისებრი გადახურვის შეუღლებას წარმოადგენს).

ჰ. ს-ის ელემენტებს ამზადებენ ერთი ან სხვადასხვა მასალისაგან (მაგ., რკინა-ბეტონის კოჭი და ფოლადის ჯაჭვი).

ო. ფალავა.

კომბ-კაპელი (Combe Capelle), გამოქვაბული დორდონის დეპარტამენტში (საფრანგეთი), სადაც 1909 აღმოაჩინეს უძველესი ადამიანის ჩონჩხი, ზედა პალეოლითის ხანის ქვის იარაღი და ცხოველთა ძვლები. კ.-კ-ის ადამიანი, ვარაუდით, 30—35 ათ. წლის წინანდელია (შუა ვიურმის ხანა). მისი სიმაღლეა 160 *სმ*, აქვს ძლიერ დაგრძელებული თავის ქალა, ფართო, სუსტად განვითარებული ცხვირი, რასაც ზოგი მეცნიერი ნეგროიდულ ნიშნებს მიაწერს. გერმ. ანთროპოლოგმა ჰ. კლააჩმა იგი „ორინიაკის ადამიანს" მიაკუთვნა. კ.-კ-ის ადამიანი ზედა პალეოლითის ხანის ევრ. მოსახლეობის ერთ-ერთი სახეობის წარმომადგენელია.

„კომბლის ომი" (ფინ. nuijasota<nyija — კომბალი, sota — ომი), გლეხთა ანტიფეოდალური აჯანყება 1596—97 ფინეთში. აჯანყების უშუალო მიზეზი იყო რუსეთ-შვეციის ომთან (1590—93) დაკავშირებით რეკრუტების გაწვევა, გაუთავლისწინებელი გადასახადების შემოღება, ფეოდ. ვალდებულებათა ზრდა და ქვეყნის გაღატაკება. აჯანყება დაიწყო 1596 ნოემბ. იაკო ილკას ხელმძღვანელობით. სტურკიუროსთან გამარჯვების შემდეგ გლეხები (დაახლ. 35 ათ. კაცი) გაემართნენ აბოსკენ (ტურკუ). გზადაგზა ფეოდალებს ართმევდნენ მამულებს, უსწორდებოდნენ გადასახადების ამკრეფთ და თავადაზნაურობას. 1596 დეკ. — 1597 თებ. აჯანყება ჩაახშვეს. „ჰ. ო." იყო ყველაზე დიდი გლეხთა აჯანყება ფინეთში. იგი აისახა ფინურ ფოლკლორში.

კომბოსტო (Brassica), მცენარის გვარი ჯვაროსანთა ოჯახისა. ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი მცენარეა. აქვს თითისტარისებრი ფესვი, სწორი ან ნახევრად წამოწეული დატოტვილი ღერო, მორიგეობით განლაგებული ფოთლები, შიშველი ან შებუსული ღერო და ფოთოლი, მტევნებად ან ფარებად შეკრებილი ყვავილები; ყვითელი გვირგვინის ფურცლები; ნაყოფი — პარკი, სფეროსებრი თესლი, ფერად მუქი მურა, მომიხაკისფრო, მოწითალო-მურა ან ყვითელი. კ-ს გვარში 100-ზე მეტი სახეობაა. სამშობლოდ ითვლება ჩინეთი და ხმელთაშუაზღვისპირეთი. ველური ფორმები გავრცელებულია ევრაზიაში. კულტ. სახეობებია ბოსტნისა და საკვები კ., მიწამხალა, რაფსი, თალგამი, შალგი, მდოგვი და სხვ. ბოსტნისა და საკვები კ-ს ჯგუფში შედის ბოსტნის კ., ჩინური კ., პეკინური კ. კ-ს ყველა სახეობა, ყვავილოვანი და პეკინური კ-ს გარდა, ორწლოვანი მცენარეა. სსრკ-ში გავრცელებულია ყველგან და ბოსტნეული კულტურების მთელი ფართობის 30% უჭირავს.

კ-ს იყენებენ ნედლად, ხარშავენ, თუშავენ, ამწნილებენ, ამარილებენ, აბმობენ, ყინავენ და სხვ. კ. შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, მინერ. მარილებს, ვიტამინებს (C, B ჯგუფის და სხვ.). აქვს დიეტური და სამკურნ. თვისებები. განსაკუთრებით დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს თ ა ვ ი ა ნ კ-ს. სსრკ-ში თავიანი კ-ს გავრცელებული ჯიშებია: პირველი ნომერი გრიბოვოს 147, ოქროს ჰექტარი, გრიბოვოს დიდება 231, ბელორუსული 455, მოსკოვური საგვიანო 15, ამაგერი 611 და სხვ. ზოგი მათგანის გარდა საქართველოში გავრცელებული და დარაიონებულია ხარისგულა, ღანირული ხარისგულა, დარუბანდული ადგილობრივი, გორული ბრაუნშვაიგი, ქართული (მესხური) ბერბუკუნა და სხვ. კ-ს მოსავალია 200—900 *ც/ჰა*. საყუათო ნივთიერებების შემცველობით და საგემოვნო თვისებების მხრივ განსაკუთრებით მდიდარია ყ ვ ა ვ ი ლ ო ვ ა ნ ი კ. მისი ჯიშებია: მოსკოვური საკონსერვო, „სნეჟინკა", ადრეული, სამამულო და სხვ. მოსავლიანობა ღია გრუნტზე 180 *ც/ჰა*. კოლრაბის (ბოსტნის კ-ს სახესხვაობა) თალგამისებურად გამსხვილებულ ღეროს — ღერონაყოფს იყენებენ ნედლად, შემწვარს და მოთუშულს. კოლრაბის მსგავსია საქართველოში გავრცელებული კეჟერა კ., რ-იც მრავალნაირი ფორმით გვხვდება. ფ ო თ ლ ო ვ ა ნ ი კ. მოჰყავთ საკვებად და დეკორ. მცენარედ. ჩითილით კ-ს მოყვანა ყველაზე გავრცელებული წესია. ჩითილები გამოჰყავთ კვალსათბურებში, ცივ ან თბილ საჩითილეებში, სამხრეთის თბილ რ-ნებში — ღია გრუნტზე.

კ-ს დ ა ა ვ ა დ ე ბ ე ბ ი ა: კ-ს შავფეხა, ალტერნარიოზი, ჭრაქი, ნაცრისფერი სიდამპლე და თეთრი სიდამპლე (იხ. *კომბოსტოს მავნებლები*).

ლიტ.: კ ვ ა ჭ ა ძ ე გ., მებოსტნეობა, გამოც. მე-2, თბ., 1965; Ж у к о в с к и й П. М., Культурные растения и их сородичи, 3 изд., Л., 1971. *გ. კვაჭაძე.*

კომბოსტოს მავნებლები, მწერები, რ-ებიც აზიანებენ კომბოსტოს. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული კომბოსტოს თეთრუა, კომბოსტოს ჩრჩილი, რაფსის ხერხია, კომბოსტოს ბუგრი, ჯვაროსანთა სამხრეთის რწყილი, კომბოსტოს გაზაფხულის ბუზი და სხვ. კ ო მ ბ ო ს ტ ო ს თ ე თ რ უ ლ ა გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოს პირობებში 4—5, მთიან ზონაში 1—2 თაობას იძლევა. კ ო მ ბ ო ს ტ ო ს ჩ რ ჩ ი ლ ი ევროპასა და აზიაშია გავრცელებული. სსრკ-ში ყველგან გვხვდება, აზიანებს კომბოსტოს, ბოლოკს, რაფსს, ტურნეფსს, თალგამსა და სხვ. წელიწადში 3—4 თაობას იძლევა. ბ რ ძ ო ლ ი ს ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი: აგროტექ. ღონისძიებების ჩატარება; ქიმიური საშუალებიდან გამოიყენება 0,2%-იანი კარბოფოსის, ფოზალონის ან ქლოროფოსის სამუშაო ხსნარი. კომბოსტოს თავის დახვევის პერიოდში მღრღნელპირიანი მწერების წინააღმდეგ კი ენტობაქტერინ-3-ის 0,5% სუსპენზია და სხვ. *ლ. შავკაცაშვილი.*

კომეები, 1. საერთო წარმომავლობის მქონე ახლო მონათესაე ხალხის — საკუთრივ კ-სა (წარსულში ზ ი რ ი ა ნ ე ბ ი) და კომი-პერმიაკების სახელწოდება. 2. კომის ასსრ მკვიდრი მოსახლეობა. კ-ის მნიშვნელოვანი ჯგუფები ურალის იქით ცხოვრობენ. საკუთრივ კ-ის საერთო რაოდ. 322 ათ. კაცი (1970, შეფასება). ლაპარაკობენ კომი ენაზე, რ-იც რამდენიმე დიალექტს შეიცავს. მორწმუნე კ. მართლმადიდებლები არიან. გვხვდებიან ძველმოწესენიც. კ-სა და კომი-პერმიაკების წინაპრები რ-ებთაც საერთო ენა ჰქონდათ, ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლ. ენობრივი ერთობის გათიშვისა და უდმურტების ცალკე ხალხად გამოყოფის შემდეგ გარკვეულ ხანს კამისპირეთში მცხ. ერთ ხალხს შეადგენდნენ. I ათასწლ. II ნახევარში მათი ნაწილი ზემო კამისპირეთიდან მდ. ვიჩეგდის აუზში გადასახლდა. აქ ისინი ნაწილობრივ ადგილ. მოსახლეობაში გაითქვიფნენ და ახ. ტომობრივი გაერთიანება შექმნეს. II ათასწლ. დასაწყისში შეიქმნა 2 ტომობრივი გაერთიანება. ერთი მდ. ვიჩეგდის აუზში, მეორე — კამის აუზში. XVI—XVIII სს-ში კ. ხალხი ზემო ვიჩეგდისა და პეჩორის აუზებში გადასახლდა. მათი მთავარი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ნადირობა, თევზჭერა. XIX ს-ში ჩრდ. რ-ნებში განვითარდა მეირმეობა. საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მიიღეს ავტონომია (1921 შეიქმნა კომის ავტ. ოლქი, 1936 — კომის ასსრ); განვითარდა მრეწველობა და მექანიზებული სოფ. მეურნ. კულტ. შესახებ იხ. აგრეთვე სტ. *კომის ავ-*



ტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ლიტ.: Народы Европейской части СССР, т. 2. М., 1964.

კომედია (ბერძნ. kōmōdia<kōmos—მხიარული სვლა და ōdē — სიმღერა), *დრამის* ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ჟანრი. მისი თავისებურებაა ხასიათებისა და მდგომარეობის გამოსახვა სასაცილო, კომიკური ფორმით, შინაარსის მიხედვით არსებობს კ-ის მრავალი სახეობა — ვოდევილიდან და ფარსიდან სერიოზულ სატირულ ან გროტესკულ კ-მდე. ამის შესაბამისად სასაცილოს კ-ში ნაირნაირი ემოციური ელფერი აქვს: იუმორისა, ირონიისა, სატირისა, სარკაზმისა და სხვ. მდიდარი და მრავალფეროვანია კ-ის მხატვრული გამოსახვის ხერხები, ხოლო მისი იდეოლოგიური საფუძველი, როგორც წესი, იმ საზ. წრეების მსოფლმხედველობაა, რ-ებიც გამოხატავენ ხალხის ფართო მასების მისწრაფებებსა და ინტერესებს. საზ. სისტემის უარყოფითი მხარეების მხილება მუდამ დიდ როლს თამაშობდა კ-ში, თუმცა ცხოვრების სხვა მხარეების ჩვენებაც ჩვეულებრივია მისთვის.

საუკუნეთა მანძილზე ისტორიულად არსებობდა კ-ის სხვადასხვა ფორმა, სადაც თავისებურად ვლინდებოდა ამ ჟანრის სპეციფ. არსი. კ-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გვქონდა მისი 2 ძირითადი სახის — ხ ა ს ი ა თ ი ს ა და მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს კ-ის — ურთიერთმონაცვლეობაც და თანაარსებობაც. ამავე დროს, ხასიათების კ-ში, როგორც უფრო მაღალ ფორმაში, გვხვდება მდგომარეობის კ-ის ცალკეული ელემენტები (ფორმის კომიზმი, ფარსი, ნიღბების კ-ის სახეები და სხვ.); ასევე, მდგომარეობის კ-ც მოიცავს „ხასიათების კომიზმის" ნიშნებს.

ისტორიულად კ. ყველაზე ხალხ. ჟანრია. კ-ის ენა იმთავითვე ეყრდნობოდა ხალხ. (მდაბიურ) მეტყველებას.

კ., როგორც ჟანრი, წარმოიშვა და განვითარდა ანტ. საბერძნეთში ღვინისა და მხიარულების ღმერთის — დიონისეს სადიდებლად გამართული მხიარული სახ.-სადღესასწაულო წარმოდგენების საფუძველზე. საბერძნეთშივე შეიქმნა კ-ის პირველი კლასიკური ნიმუშები (*არისტოფანე*).

თეორ. მსჯელობა კ-ის შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ არისტოფანესთან, რ-იც ამ ჟანრის ამოცანად „სიცილის აღძვრას" მიიჩნევს, მაგრამ მისი აზრით, კ-ში სასაცილო არ უნდა იქნეს ნაჩვენები სერიოზულის გარეშე. ამ დებულების არსი გაიზიარეს შემდგომი პერიოდის თეორეტიკოსებმა (არისტოტელე, ნ. ბუალო, ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ა. გერცენი) თუ კომედიოგრაფებმა (უ. შექსპირი, ლოპე დე ვეგა, ჟ. ბ. მოლიერი, ა. გრიბოედოვი, ნ. გოგოლი, ა. ოსტროვსკი).

კ-ის შესახებ საგულისხმო შეხედულებები აქვს გამოთქმული ი. ჭავჭავაძეს. მისი აზრით, კ. ისეთი დრამ. ნაწარმოებია, რ-იც ესთეტ. სიამოვნებას აღძრავს სიცილის მეშვეობით; ი. ჭავჭავაძე განასხვავებს კ-ის 2 სახეს: „ხასიათისა" და „ჩვეულებათა" კ-ებს.

თავისი ღრმა საზ. მნიშვნელობის გამო











კომბინირებული სისტემა. ნახ. 1. კომბინირებული სისტემები: ა—წამწამიანი თაღი; ბ — კოჭიანი კიდული სისტემა (კაპელი).

კომბოსტო. ხვეტი ანუ კოლრაბი.

კომბოსტოს მავნებლები. კომბოსტოს ჩრჩილი; 1—პეპელა; 2—მატლი; 3—ჭუპრი; 4—კომბოსტოს ჩრჩილისაგან დაზიანებული ფოთოლი.

კომბინირებული სისტემა. ნახ. 2. სამ თაღზე შეკიდული ბადისებრი გადახურვა.

„კომედია დელ' არტეს" სცენა XVII საუკუნის ფრანგული გრავიურიდან.

ი. კომენსკი.

საბჭ. კ-ში სიცილი აქტ. როლს თამაშობს, რაც განაპირობებს კიდეც კ-ის დიდ აღმზრდელობით ძალას. საბჭ. კ. კიცხავს ყოველივე უარყოფითს, მანკიერს, ბნელს, წვრილმანს, რაც ეწინააღმდეგება საბჭ. ადამიანის მაღალ იდეალებს, აფერხებს ცხოვრების განვითარებას.

ქართ. სინამდვილეში კ., როგორც ჟანრი, ჩამოყალიბდა XIX ს. 50-იან წლებში. მისი ფუძემდებელია გ. ერისთავი. თვალსაჩინო ქართველი კომედიოგრაფები იყვნენ ზ. ანტონოვი, ა. ცაგარელი, დ. კლდიაშვილი.

ქართ. საბჭ. დრამატურგიაში კ. განსაკუთრებით განვითარდა. ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", „კოლმეურნის ქორწინება", შ. დადიანის „კაკალ გულში" და სხვ.

ლიტ.: ლომიძე გ., კომედიის ჟანრობრივი თავისებურებების პრობლემა, თბ., 1969; **Античные мыслители об искусстве**, 2 изд., М., 1938; Борев Ю. Б., О комическом, М., 1957. *ნ. ალანია.*

„კომედია დელ' არტე" (Commedia dell'arte), ნიღბების კომედია, აღორძინების ხანის იტალიური ხალხური იმპროვიზაციული თეატრის სახეობა. აღმოცენდა XVI ს. შუა წლებში იტალ. სხვადასხვა ქალაქსა და პროვინციაში ხალხური ფარსის, კარნავალური ბუფონადის ტრადიციებზე. მშრალი სიუჟეტური სქემის სპექტაკლებს იმპროვიზაციით ხორცს ასხამდნენ მსახიობები. ასეთი სპექტაკლების შექმნა მსახიობისაგან მოითხოვდა დიდ განათლებას, გემოვნებას, ანსამბლის გრძნობას, წარმოსახვის უნარს, მუსიკალურობას და სხვ. სხვადასხვა სიუჟეტსა და თემაზე შექმნილ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ერთი და იგივე პერსონაჟები ანუ ნიღბები: მოხერხებული, მხიარული ბრიგელა, გულუბრყვილო, მოუქნელი არლეკინი, ენამოსწრებული მსახური ქალი სერვეტა, ბრიყვი, ხარბი ვაჭარი და არშიყი პანტალონე, მხდალი, ტრაბახა თავადი კაპიტანი, ენაჭარტალა, გონებაჩლუნგი დოქტორი. ლირიკული გმირები — შეყვარებულები, სხვა პერსონაჟებისაგან განსხვავებით, ნიღბების გარეშე გამოდიოდნენ სცენაზე და წმინდა ლიტ. ენით მეტყველებდნენ.

„კ. დ. ა-ს" სოც. სატირით გამსჭვალულ ხალისიან სპექტაკლებში იყენებდნენ ხალხ. სიმღერებს და ოხუნჯობებს, აკრობატულ ხერხებს. წარმოდგენები ძირითადად იმართებოდა ღია ცის ქვეშ — მოედნებსა და ქუჩებში. „კ. დ. ა-მ" მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამსახიობო ხელოვნ. განვითარებას, ევრ. თეატრის პროფესიონალიზაციას, სცენური ანსამბლის პრინციპების ჩამოყალიბებას; უდიდესი გავლენა მოახდინა მოლიერის, კ. გოლდონის, კ. გოცის შემოქმედებასა და საერთოდ ევრ. კომედიოგრაფიისა და სასცენო ხელოვნების განვითარებაზე. ცნობილი მსახიობები იყვნენ ა. განასა, ძმები ჯ. და ტ. მარტინელები და სხვ. განსაკუთრებით გაითქვა სახელი პოეტმა და მსახიობმა ქალმა იზაბელა ანდრეინიმ. XVIII ს-იდან კათოლ. რეაქციის შედეგად „კ. დ. ა-ს" სპექტაკლებში სოც. სატირამ სიმძაფრე დაკარგა. ზოგიერთი თანამედროვე იტალ. მსახიობი და რეჟისორი (ე. დე ფილიპო, ჯ. სტრელერი) თავის შემოქმედებაში ცდილობს აღადგინოს „კ. დ. ა-ს" ტრადიციები.

ლიტ.: Бояджиев Г. Н., **Вечно прекрасный театр эпохи** Возрождения, Л., 1973; Дживелегов А. К., Итальянская народная комедия, 2 изд., М., 1962. *ლ. ცაგარეიშვილი.*

„კომედი ფრანსეზ" (Comédie-Française), (ოფიც. სახელწ. „ტეატრ ფრანსე", „Théâtre-Français"), საფრანგეთის უძველესი ეროვნული თეატრი. ლუი XIV-ის ბრძანებით დაარსდა 1680 პარიზში მოლიერის თეატრისა და თეატრ „ბურგუნდიის ოტელის" ბაზაზე. XVIII ს-ში თეატრში ერთმანეთს დაუპირისპირდა კლასიციზმის თავადაზნაურული და დემოკრ.-განმათ. ტენდენციები. ვოლტერის მიმდევარი მსახიობები ა. ლეკუვრერი, მ. დიუმენილი, ი. კლერონი, ა. ლეკენი თუმცა იცავდნენ კლასიცისტური თეატრის ნორმებს, მაგრამ ისწრაფოდნენ ფსიქოლ. სიმართლისა და სიღრმისაკენ. 1830 რევ. წინა პერიოდში „კ. ფ-ში" დგამდნენ ჰიუგოს რომანტ. დრამებს. 1848 რევოლუციის წინ გმირული ბრძოლის თემა განსაკუთრებული ძალით აჟღერდა მსახიობი ე. რაშელის შემოქმედებაში. XIX ს. 20-იანი წლებიდან თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა პიესები, რ-ებიც განადიდებდნენ ბურჟ. მორალს (დრამატურგები ე. სკრიბი, ა. დიუმა-შვილი, ვ. სარდუ). XIX ს-ში და XX ს. დასაწყ. გამოჩენილი მსახიობები იყვნენ ჟორჟი, სარა ბერნარი, ჟ. მუნესიული და სხვ. თეატრში რეალისტურ ტრადიციებს ავითარებდნენ უმთავრესად კომიკოსი მსახიობები ე. ფ. ჟ. გო, ბ. კ. კოკლენი და სხვ. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში „კ. ფ-ში" დგამდნენ კრიტ. რეალიზმის წარმომადგენელთა პიესებს (ა. ფრანსი, ა. ბეკი, ჟ. რენარი, ე. ფაბრი და სხვ.). 30-იან წლებში აქ მუშაობდნენ რეჟისორები ჟ. კოპო, ლ. ჟუვე, შ. დიულენი, გ. ბატი. „კ. ფ-ში" მოღვაწეობდნენ თანამედროვე საფრ. უდიდესი მსახიობები და რეჟისორები (მ. ბელი, ჟ. იონელი, ჟ. ლ. ბარო, მ. რენო და სხვ.). თეატრი ბოლომდე ერთგული დარჩა კლასიკური ტრადიციებისა, მის სცენაზე ვერ შეაღწია ფორმალისტურ-დეკადენტურმა ტენდენციებმა. „კ. ფ-ს" რეპერტუარში იყო კორნელის, რასინის, მოლიერის, ბომარშეს, მიუსეს და სხვ. პიესები. „კ. ფ." საგასტროლოდ იყო სსრკ-ში 1954, 1964, 1969, 1973.

ლიტ.: Бояджиев Г. Н., Театральный Париж сегодня, [М.], 1963; Мокульский С., История западноевропейского театра, т. 2, М.—Л., 1939.

კომელინასებრნი (Commelinaceae), ერთლებნიან მცენარეთა ოჯახი. ბალახებია, აქვთ შეფოთლილი დამუხლული ღერო, აქტინომორფული ან ზოგჯერ ზიგომორფული ორსქესიანი ყვავილები. ოჯახში 40 გვარია და 500-ზე მეტი, სხვა მონაცემებით 1000-მდე სახეობა. გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. სსრკ-ში 2 გვარია ცნობილი — კომელინა, რ-იც საქართველოშიც ორი სახეობით გვხვდება როგორც სარეველა, და ანეილემა (მხოლოდ 1 სახეობა იზრდება შორეულ აღმოსავლეთში). ტრადესკანცია, ზებრინა, სპირონემა და სხვ. სსრკ-ში დეკორ. მცენარედ მოჰყავთ.

კომენდანტი (ფრანგ. commendant — მეთაური, უფროსი), თანამდებობის პირი (ოფიცერი ან გენერალი) სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. XVI ს-იდან კ-ს უწოდებდნენ ციხესიმაგრის გარნიზონის უფროსს. რუსეთში 1715-მდე სამხ. გარნიზონის კ. მაზრის მმართველიც იყო. საბჭ. შეიარაღებულ ძალებში არსებობს გარნიზონის კ., რკინიგზის (წყლის) უბნის, სადგურის (პორტის) სამხ. კ. და სხვ. გარნიზონის კ. ინიშნება ყოველ გარნიზონში. ის უზრუნველყოფს გარკვეულ რ-ნში ან პუნქტში სამხ. მოსამსახურეთა და ჯარების მიერ სამხ. დისციპლინის დაცვასა და სხვადასხვა სამსახურის ნორმალურ საქმიანობას.

კომენსალიზმი, თანაცხოვრება, სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ერთი ცხოვრობს მეორის ხარჯზე მუდამ ან დროებით ისე, რომ მისთვის არც მავნეა, არც სასარგებლოა (*პარაზიტიზმისა* და *სიმბიოზისაგან* განსხვავებით). კ. უმთავრესად კვებით ურთიერთობაში ვლინდება, მაგრამ ზოგჯერ კომენსალები (სხვის ხარჯზე მცხოვრები ფორმები) მეორე ორგანიზმს იყენებენ გადაადგილებისათვის, თავდაცვისათვის და მისთ. კომენსალი შეიძლება აქტიურად დაყვებოდეს მასპინძელს ან ემაგრებოდეს მის სხეულს, ან სულაც მის ორგანიზმში ბინადრობდეს. მაგ., თევზი ეპანი სპეც მისაწოვრითაა მიმაგრებული დიდი თევზების სხეულზე და მათ გადაადგილებისათვის იყენებს; ინფუზორია ოპალინა (Opalina) ბაყაყის უკანა ნაწლავში ცხოვრობს და სხვ. ევოლ. პროცესში, ზოგჯერ, როგორც ჩანს, კ-იდან განვითარდა ერთი მხრით სიმბიოზი, მეორე მხრით—პარაზიტიზმი. *ლ. ნათაძე.*

კომენსკი (Komenský) იან ამოს (28. III. 1592, ნივნიცე, სამხრ. მორავია, — 15. XI. 1670, ამსტერდამი), ჩეხი მოაზროვნე-ჰუმანისტი, პედაგოგი. ეკუთვნოდა „ჩეხ ძმათა" პროტესტანტულ სექტას — იან ჰუსის დემოკრ. იდეათა მემკვიდრეს. უმაღლესი განათლება მიიღო ჰერბორნის აკადემიასა და ჰაიდელბერგის უნ-ტში. კათოლ. ეკლესიის მიერ სამშობლოდან დევნილი, 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ევრ. სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ეწეოდა პედ. და საზ. მოღვაწეობას.

კ-ს მსოფლმხედველობაში, რ-იც ყალიბდებოდა კაპიტალ. ფორმაციის გარიჟრაჟზე, ფეოდალიზმისა და ახლად ჩასახულ კაპიტალიზმს შორის ბრძოლის პირობებში, მკვეთრად გამოისახება ორმაგი ხასიათი — მატერიალ. და რელიგ.-იდეალისტური. შემეცნების პროცესის გაგებაში კ. მატერიალ. სენსუალიზმის პოზიციებზე დგას და იგი ძირითადი მეთოდოლ. საყრდენია მისი პედ. თეორიისა, რ-მაც ესოდენ დიდი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო პედ. აზრის განვითარებაზე. ნატურფილოსოფიასა და საზ. ცხოვრების გაგებაში კ. იდეალისტია, ბევრ ფაქტსა და მოვლენას ხსნის ქრისტ. მორალის დებულებით (მაგრამ დემოკრ.-ჰუმანისტური სულისკვეთებით). კ-ის მიხედვით ადამიანი უნდა იყოს „ბრძენი", რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ აღზრდისა და განათლების გზით. რწმენით ჰუმანისტი, კ. თავისი პედ. სისტემის საფუძვლად იღებს ბუნების შესაბამისობის პრინციპს, რ-მაც დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეებში გაბატონებულ სქოლასტიკასა და დოგმატიზმთან ბრძოლაში.

კ-მ, პირველმა ისტორიაში, შექმნა დიდაქტიკის სისტემა, რ-იც დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. კ. ისწრაფვოდა იმისაკენ, რომ სწავლების პროცესი სრულდებოდეს წარმატებით, ადვილად, უმოკლესი გზით და საფუძვლიანად: ამ მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა მის მიერ ჩამოყალიბებული სწავლების პრინციპები: შეგნებულობის, თვალსაჩინოების, თანდათანობის, ცოდნის მტკიცედ დაუფლების.

კ. გმობდა მის დროში გაბატონებულ სწავლების დოგმატურ-სქოლასტ. მეთოდს; მოითხოვდა სწავლების დაწყებას საგნებსა და მოვლენებზე უშუალოდ დაკვირვებით: უნდა ისწავლებოდეს საგანი და არა სხვისი დაკვირვებანი და მტკიცებანი ამ საგნის შესახებ, ამ შესწავლის დროს სმენა უნდა უერთდებოდეს მხედველობასა და სიტყვა საქმეს. თვალსაჩინოებას კ. უწოდებს სწავლების „ოქროს წესს", ხოლო თვალსაჩინოებად გამოსაყენებელია როგორც გარესამყაროს რეალური საგნები, ისე მათი ამსახველი სურათებიცა და მოდელებიც. კ-მ დაგმო მექან. დაზუთხვა და მიუთითა, რომ არაფერი უნდა ისწავლებოდეს მეხსიერებით ისე, თუ ეს გონებით არ არის გაგებული. ის ამტკიცებდა, რომ არ შეიძლება ასწავლიდე მხოლოდ და მხოლოდ ავტორიტეტის საფუძველზე, არამედ სწავლება უნდა ეყრდნობოდეს დასაბუთებას გარეგანი გრძნობებისა და გონების საშუალებით. მოსწავლეებმა მასწავლებლის ახსნა-განმარტების დახმარებით კარგად უნდა შეიგნონ, თუ რა სარგებლობა მოაქვს მათ მიერ შესწავლილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოვლენების სწავლების დროს მოსწავლეებმა უნდა შეიგნონ ამ მოვლენების მიზეზები და მათი ურთიერთკავშირი. კ-მ დასაბუთა

შეგნებულობის დიდაქტ. პრინციპი. მაგრამ, შეგნებული დამოკიდებულება სწავლების საგანთან, მისი არსის გაგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო მასალა მიწოდებულია ბუნების შესაბამისად, სისტემატურად და თანმიმდევრულად. კ-ს ესმოდა, რომ სწავლებაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია მტკიცე დისციპლინის გარეშე, მაგრამ ის კატეგორიულად უარყოფდა მის დროს გაბატონებულ „ჯოხის დისციპლინას", რ-იც მოსწავლეებში იწვევდა ზიზღს სკოლისა და სწავლებისადმი. დისციპლინის აღზრდისა და შენარჩუნების ძირითად საშუალებად მას დარწმუნება, ბავშვებისადმი მამობრივი სიყვარული და მათი პიროვნებისადმი პატივისცემა მიაჩნდა.

კ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მასწავლებლის როლს; მასწავლებელი უნდა ყოფილიყო მაღალი ზნეობის, აქტიური, საქმისადმი თავდადებული ადამიანი, რ-იც დარწმუნებულია იმაში, რომ მისი შრომა ადამიანთა კეთილდღეობას ემსახურება. მასწავლებელი ყოველთვის და ყველაფერში სამაგალითო უნდა იყოს მოსწავლეებისათვის.

კ-მ დაამუშავა სწავლების საკლასო-საგაკვეთილო სისტემა, წარმოადგინა ერთიანი სკოლის სტრუქტურა: დედობრივი სკოლა (აღზრდა ოჯახში დედის ხელმძღვანელობით 6 წლამდე), მშობლიური ენის სკოლა 6—12 წლის ასაკის ბავშვებისათვის, დიდ ქალაქებში უფრო ნიჭიერი მოსწავლეებისათვის 12—18 წლის ასაკში — ლათ. სკოლა ან გიმნაზია; და ბოლოს, ყველა სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო აკადემია — უმაღლესი სასწავლებელი 18—24 წლის ასაკის ახალგაზრდებისათვის. შემდგომ კ-მ დასახა კიდევ ერთი სასკოლო საფეხური — მოწიფულობისა და სიბერის ასაკის სკოლა, სადაც „ასწავლიდა" თავად ცხოვრება.

კ-მ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო პედაგოგიკისა და სასკოლო პრაქტ. განვითარებაზე; ბევრი მისი დიდაქტიკური მოსაზრება შესულია სწავლებისა და განათლების თანამედროვე თეორიაში. 1957 დაწესდა კ-ს სახ. მედალი, რ-საც ანიჭებს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი. საქართველოში კ-ს სახელს ატარებს თბილ. 24-ე საშ. სკოლა.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე დ., იან ამოს კომენსკი, გამოც. მე-2, თბ., 1970 (M., 1970; Praha, 1972); ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე დ., ზ ი ნ ე ვ ი ჩ ი ნ. (შემდგ.), იან ამოს კომენსკი. ბიბლიოგრაფია, თბ., 1958.

კომენტარი (ლათ. commentarius — შენიშვნა, განმარტება), 1. წიგნის (თხზულებათა კრებულის, მემუარების. ეპისტოლარული მემკვიდრეობის, თარგმანის, ისტ. საბუთების და სხვ. გამოცემის) სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ნაწილი. კ. გამომცემლისეულია; შეიცავს ცნობებს ნაწარმოების წარმომავლობის, ტექსტის ისტ., მისი ადგილის შესახებ ლიტ-რის, კულტ., მეცნ. ისტორიაში, ტექსტში მოხსენიებული ფაქტებისა და პიროვნებების შესახებ (რეალიები); პრაქტიკაში დამკვიდრებულია კლასიკური ტექსტების კ-ების ცალკე გამოცემა. მნიშვნელოვანია აგრეთვე კანონთა მეცნ.-პრაქტ. კ-ის გამოცემაც.

კ-ებს ურთავდნენ საღვთო წიგნებს. ცნობილია ავესტის განმარტებანი, ბიბლიის ებრაული თარგუმები და ბერძნ. ეგზეგეზები. ძვ. ქართ. ლიტ. სკოლა კარგად იცნობდა კ-ს. ამ ხასიათის ნაშრომები დაცულია შატბერდის კრებულში (973—976), ცნობილია ე. წ. გელათური კატენებიანი ბიბლია, იოანე პეტრიწის კ-ები, რ-ებიც მან დაურთო პროკლე დიადოქოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითნის" თარგმანს.

კ-ებითაა გამოცემული XIX ს. ქართვ. მოღვაწეთა პირადი წერილები (მაგ., გრ. ორბელიანის „წერილების" 2 ტ. აკ. გაწერელიას კ-ებით). კ-ები ერთვის ძვ. ქართ. ენისა და ლიტ-რის ძეგლების მეცნ. პუბლიკაციებს. მ. შ. აღსანიშნავია ზ. ალექსიძის მიერ გამოცემული „ეპისტოლეთა წიგნი" და სხვ.

2. მასობრივი კომუნიკაციის სისტემაში საპროპაგანდო მასალის ანალიტიკური, ოპერატ. განმარტება, რასაც საჭიროებს საზ. ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა ან ფაქტი.

3. ძვ. რომში „კ-ები" ეწოდებოდა ისტ. თხზულებებს. მაგ., იულიუს კეისრის კ-ები „გალიის ომების შესახებ" და „სამოქალაქო ომის შესახებ".

კომენტატორი (ლათ. commentator), პირი, რ-იც *კომენტარს* უკეთებს რაიმე მოვლენას ან ამბავს (საზ.-პოლიტიკურს, სპორტულს და სხვ.) ჟურნალ-გაზეთებსა ან რადიო და სატელევიზიო გადაცემებში.

„კომერცბანკი" (Kommerz-Bank), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო კონცერნი. გერმ. და დრეზდენის ბანკებთან ერთად შედის ბანკების „დიდ სამეულში". დაარსდა 1870 ჰამბურგში საგარეო ვაჭრობის დაფინანსების მიზნით. დიდი როლი ითამაშა II მსოფლიო ომში, აფინანსებდა ფაშიზმს, და ხელს უწყობდა ოკუპირებული ქვეყნების ძარცვაში. „კ." გფრ-ის ერთ-ერთი ფინანს. ჯგუფის ცენტრია. მასში შედის სავაჭრო კონცერნი „კაუფჰოფი" და „კარშტადტი", სადაზღვევო კონცერნი „ჰერლინგი" ჰოლდშმიდტების სამრეწვ. საწარმოებითურთ და ა. შ.; „კ-ს" აქვს ფილიალები, წარმომადგენლები ჰყავს 14 ქვეყანაში, მონაწილეობს 20 ქვეყნის საბანკო ოპერაციებში, არის XX ს. 60-იან წლებში შექმნილი რიგი საერთაშ. ბანკების დამაარსებელი და თანამონაწილე.

კომერციული ანგარიშსწორება, სამეურნეო საქმიანობის დანახარჯებისა და შედეგების ღირებულებითი (ფულადი) თანაშეზომვის გზით მეურნეობის გაძღოლის მეთოდი. კ. ა-ის მიზანია კაპიტალ. საწარმოების (ფირმების, კომპანიების) მიერ კაპიტალის მინ. დახარჯვით მაქს. მოგების მიღება. კაპიტალის გამოყენების რაციონალიზაცია, წარმოების დანახარჯების შემცირება, შრომის დანახარჯების ნორმირება და აღრიცხვა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა მიმართულია კაპიტალ. წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ, რ-საც თან ახლავს კაპიტალ. ეკონ. სოც.-ეკონ. წინააღმდეგობანი, უმუშევრობის ზრდა და ა. შ.

კ. ა. ჩვენს ქვეყანაში არსებობდა საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში, როდესაც საწარმოთა ნაწილი ფუნქციონირებდა კომერც. საწყისებზე. სოციალ. ეკონ. განმტკიცებისა და სოციალ. საწარმოო ურთიერთობათა სფეროს გაფართოების კვალობაზე კ. ა. სამეურნეო ანგარიშით შეიცვალა.

კომერციული ვაჭრობა, სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთი სახეობა მოსახლეობის საბარათო სისტემით მომარაგების პირობებში. კ. ვ-ის განსხვავებული თავისებურებაა მომატებულ ფასებში მოსახლეობისათვის საქონლის თავისუფალი მიყიდვა. კ. ვ. სსრკ-ში განხორციელდა ორჯერ— 1929 და 1944. 30-იან წლებში იგი წარმოადგენდა ექსპლუატატორული ელემენტებისაგან არაშრომითი შემოსავლის ამოღების საშუალებას, სახელმწ. ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს და არაორგანიზებულ ბაზარზე ზემოქმედების ძირითად საშუალებას. 1944 კ. ვ. შემოიღეს მოსახლ. საბარათო სისტემით მომარაგებასთან ერთად, როგორც მშრომელთა მომარაგების გაუმჯობესებისა და საკოლმ. ბაზრის ფასებზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალება. ამასთან იგი ამტკიცებდა ფულად მიმოქცევას. სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1947 წ. 14 დეკ. დადგენილებით მომარაგების საბარათო სისტემა და კ. ვ. გაუქმდა.

კომერციული კრედიტი, საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველზე გადახდის გადავადების ფორმით გაცემული კრედიტი. კაპიტალიზმის დროს კ. კ-ის აუცილებლობა განპირობებულია კაპიტალის წრებრუნვით. წარმოებისა და მიმოქცევის ასინქრონულობა, აგრეთვე ზოგიერთი საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის სეზონური ხასიათი აიძულებდა მწარმოებელ კაპიტალისტებს ერთმანეთს გადაუგადონ გადასახდელი მანამდე, ვიდრე კაპიტალისტ-მყიდველი არ გაყიდის თავის საქონელს და არ მიიღებს ფულს კრედიტით შეძენილი საქონლის გასასტუმრებლად. კ. კ. ფორმდება მყიდველის თამასუქით ან ღია ანგარიშში ჩაწერით, რ-ის მიხედვით მყიდველი ვალდებულებას იღებს დადგენილ ვადაში დაფაროს თავისი დავალიანება. კ. კ. მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკის კრედიტთან.

სსრკ-ში კ. კ-ს ფართოდ იყენებდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში. ბანკის კრედიტთან ერთად მან შესაძლებელი გახადა ფულადი რესურსების მობილიზაცია. მაგრამ მისი გამოყენება აძნელებდა სოციალ. საწარმოთა სამეურნეო-ფინანს. საქმიანობისადმი კონტროლს. 1930 კ. კ. გაუქმდა და ყველა საკრედიტო ურთიერთობა შეიზღუდა პირდაპირი საბანკო დაკრედიტებით. სოციალ. ეკონ. მშენებლობის პირველ ეტაპზე კ. კ-ს იყენებდნენ სოციალ. ქვეყნებშიც (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი).

კომერციული საიდუმლოება, კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სააქციო კომპანიების, ფირმების, ბანკებისა და სხვ. უფლება თავისანთი საქმიანი დოკუმენტების (სავაჭრო წიგნები, ბალანსები და სხვ.) საიდუმლოდ შენახვისა. კ. ს. სოციალ. ქვეყნებში არ არსებობს. სსრკ-ში იგი გაუქმდა 1971 წ. 14 (27) ნოემბერს.

კომეტები (ბერძნ. kometēs — გრძელთმიანი, კუდიანი), მზის სისტემის სხეულები, „კ უ დ ი ა ნ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი", რ-ებიც ცაზე დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე ბუნდოვანი ობიექტების სახით, გადაადგილდებიან ვარსკვლავების მიმართ. თითოეულ მათგანს აქვს „თავი" და ერთი ან რამდენიმე გრძელი „კუდი" (სურ. 1, 2). თავი შედგება მკვრივი ბირთვისა და მის ირგლივ არსებული ატმოსფერული გარსისაგან—კ ო მ ა ს ა გ ა ნ. კ-ის გამოჩენას განაპირობებს მცირე ზომის გაყინული სხეულების მიახლოება მზესთან 4 ა. ე-ზე უფრო ნაკლები მანძილით. მზის სხივებით გახურების შედეგად ეს სხეულები გამოყოფენ აირთვან და მტვრის ნაწილაკებს, რ-თაგანაც იქმნება კ-ის ატმოსფერო (უკანასკნელი კ-ის ბირთვთან ერთად ქმნის თ ა ვ ს). კ-ის ბირთვიდან უწყვეტად გამომდინარე მნათი აირი და მტვერი სინათლის წნევის ზეგავლენისა და მზისიერ ქართან ურთიერთქმედების შედეგად აიტყორცნება მზის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ერთ ან რამდენიმე კუდს წარმოქმნის.

ხილული ნათების მიხედვით განარჩევენ კაშკაშა და მკრთალ კ-ს. კაშკაშა კ. კარგად ჩანს შეუიარაღებელი თვალით. მათი გრძელი კუდებით ზოგჯერ მთელი ცაა გადაკვეთილი. მკრთალი კ-ის დანახვა შეიძლება მხოლოდ ტელესკოპით. კ-ის თავები და კუდები სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის წარმონაქმნებია. ბირთვის დიამეტრი არ აღემატება რამდენიმე ათეულ *კმ*-ს, ზოგიერთი კ-თვის კი — რამდენიმე *კმ*-ს. თავის სიდიდე ზოგჯერ აღწევს 1 მლნ. *კმ*-ს, კუდისა—რამდენიმე ასეულ მლნ. *კმ*-ს. კ-ის მასა უმნიშვნელოა და თითქმის მთლიანად ბირთვშია თავმოყრილი. ყველაზე დიდი კ-ის მასა მილიარდჯერ მაინცაა ნაკლები დედამიწის მასაზე. მასის მიხედვით კ-ს უკავია შუალედური მდგომარეობა მცირე ცთომილებსა და მეტეორიტებს შორის.

კ-ის აგებულება შესწავლილია ფოტომეტრიის, პოლარიმეტრიისა და სპექტრული ანალიზის მეთოდებით. ახლო კოსმ. სივრცეში ახდენენ შესაბამის ნივთიერებათა ინჟექციას ან სათანადო ექსპერიმენტებს ლაბორატორიებში. დადგენილია,



კომეტები. სურ. 1. ბენეტის კომეტის (1970 II) ფოტოგრაფია, მიღებული აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. ჩანს ნივთიერების ამონახეთქი I ტიპის კუდიდან.

კომეტები. სურ. 2. არენდ-როლანის კომეტის (1957 III) ფოტოგრაფია, მიღებული აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში. ჩანს ფსევდონორმალიური კუდი.

რომ კ-ის ბირთვები შედგება წყლის ოროქლისა და გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ზოგიერთი სხვა ნაერთის (CO_2, NH_3 და სხვ.), აგრეთვე მტვრისა და ქვის მსგავსი ნივთიერების ნარევისაგან. კ. შეიცავს როგორც ნეიტრალურ (C_2, C_3, CN, CH, OH, NH, NH_2), ისე იონიზებულ (CO^+, N_2^+, CH^+) მოლეკულებს, აგრეთვე ატომებს H, O და Na.

კ-ის კუდების წარმოქმნის საკითხი XIX ს. ბოლოს გულდასმით შეისწავლა თ. *ბრედიხინმა*, რ-მაც შექმნა კ-ის ფორმების მექან. თეორია. მზის უკუმგდები ძალის სიდიდის მიხედვით (ეს სიდიდე დამოკიდებულია ნაწილაკთა ზომაზე, სიმკვრივესა და ფორმაზე) თ. ბრედიხინმა კუდი დაყო 3 ტიპად. I ტიპის კუდებში უკუმგდები ძალა 10—100-ჯერ აღემატება მიზიდულობის ძალას. ასეთი კუდები თითქმის მზის საწინააღმდეგო მხარეს არიან მიმართული. ისინი მხოლოდ ოდნავ იხრებიან იმ მხარეს, საიდანაც კ. მოძრაობენ. I ტიპის კუდები შედგება იონიზებული მოლეკულებისაგან და წარმოადგენს პლაზმას. II ტიპის კუდები წარმოიქმნება ისეთი უკუმგდები ძალის მოქმედებით, რ-იც რამდენჯერმე აღემატება მიზიდულობის ძალას. ასეთი კუდები უფრო ფართოა და მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მეტად არიან გადახრილნი. II ტიპის კუდები შედგება სხვადასხვა სიდიდის მტვრის ნაწილაკებისაგან. III ტიპის კუდებში უკუმგდები ძალა რამდენჯერმე ნაკლებია მიზიდულობის ძალაზე. ისინი მზე-კომეტის ბირთვის მიმართულებისადმი თითქმის პერპენდიკულარულად არიან განლაგებული. III ტიპის კუდები ბირთვიდან ერთდროულად გამოტყორცნილი მთლიანი ღრუბლებია; შედგება სხვადასხვა სიდიდის მტვრის ნაწილაკებისაგან. კ-ის ფორმათა წარმოქმნის თეორია განავითარა ს. ორლოვმა.

ზოგჯერ კ-ის ბირთვებიდან ამოიტყორცნება ისეთი ნაწილაკები, რ-ებისთვისაც მზის მიზიდულობის ძალა ბევრად აღემატება უკუმგდებ ძალას. ამ დროს კ-ს უჩნდება ე. წ. ანომალიური კუდი, რ-იც მზისკენაა მიმართული. ზოგჯერაც დედამიწის, კ-ისა და მზის განსაკუთრებული ურთიერთგანლაგების გამო II ან III ტიპის კუდი ისე მოჩანს, თითქოს იგი მზისკენ იყოს მიმართული. ასეთ კუდს ფსევდოანომალიური ეწოდება (სურ. 2).

XVII ს-მდე არისტოტელეს მოძღვრების შესაბამისად, მიჩნეული იყო, რომ კ-ის წარმოქმნა და მოძრაობა დედამიწის ატმოსფეროში ხდება. ფიქრობდნენ, რომ დედამიწის ზედაპირიდან დიდ სიმაღლეზე ადის სხვადასხვა აირი, ეს აირები შემდეგ ინთება და იწვის. პირველი სწორი მეცნ. დასკვნა კ-ის შესახებ გააკეთა ტ. *ბრაჰემ*. მან დაამტკიცა, რომ კ. მთვარეზე შორსაა და ისეთივე ციური მნათობებია, როგორც მზე, მთვარე, პლანეტები და ა. შ.

საერთაშ. შეთანხმებით თავდაპირველად კ. აღინიშნებიან აღმოჩენის შესახებ ცნობის რიგის მიხედვით (მაგ., 1915*a*, 1976*c* და ა. შ.). კ-ის ორბიტების საიმედო განსაზღვრის შემდეგ წინასწარი აღნიშვნა იცვლება საბოლოოთი, რ-იც შეიცავს წელს, პერიჰელიუმში კ-ის გავლის რიგით ნომერს (რომაული ციფრით) და აღმომჩენი დამკვირვებლის (ან დამკვირვებლების) გვარს (მაგ., 1910 II ჰალეი). ამჟამად გამოთვლილია 600-მდე კ-ის ორბიტა. აქედან პერიოდულია ≈200, დანარჩენები პარაბოლურ ან ჰიპერბოლურ ორბიტებზე მოძრაობენ, ე. ი მზის სისტემის ფარგლებს სამუდამოდ დატოვებენ. საერთოდ კი მზის სისტემაში კ-ის სრული რიცხვი ასეულ მილიარდამდეა, მაგრამ უმრავლესობა მიუწვდომელია დაკვირვებისათვის.

კ-ის მოძრაობა გამოიკვლია 1939 ი. ტარასაშვილმა. მან შეისწავლა კ-ის მოძრაობა მზის სისტემის განაპირა უბნებში და უჩვენა, რომ მზესთან კ-ის მიახლოებისას დიდი პლანეტების მიზიდულობის ძალის მოქმედებით ხდება მათი მოძრაობის შეშფოთება და უმრავლეს შემთხვევაში ელიფსური ორბიტების ჰიპერბოლურ ორბიტებად გარდაქმნა. მაშასადამე, კ. თავდაპირველად მზის სისტემის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. საბჭ. ასტრონ. ს. ვსეხსვიატსკის ჰიპოთეზის მიხედვით, კ. დიდ პლანეტებზე და მათ თანამგზავრებზე მძლავრ ეულკ. ამოფრქვევათა შედეგია. ჰოლანდ. ასტრონ. ი. *ოორტს* კი მიაჩნია, რომ ამჟამად დამზერილი კ. შემოიჭრებიან მზის მახლობლობაში გიგანტური კომეტური ღრუბლიდან, რ-იც გარს არტყია მზის სისტემას და ვრცელდება 150 ათას ა. ე-ზე.

აბასთუმნის ასტრონ. ობსერვატორიაში 1942 გ. თევზაძემ აღმოაჩინა ორი ახ. კ. (იხ. *უიპლ-ფედტკე — თევზაძის კომეტა*).

ზოგიერთი საინტერესო ცნობის მისაღებად იხ.: *არენდ-როლანის კომეტა, ბიელას კომეტა, იკეია-სეკის კომეტა, ნეუიმინის კომეტა, შაინის კომეტა, ჰალეის კომეტა*.

ლიტ.: ხ ა რ ა ძ ე ე., ასტრონომიის საფუძვლები, [ტ.] 2, თბ., 1974; ჯ ა ფ ი ა შ ვ ი ლ ი ვ., რა ვიცით კომეტების შესახებ, ასტრონომიული კალენდარი. 1965, თბ., 1964; Бредихин Ф. А., О хвостах комет, М.—Л., 1934; Добровольский О. В., Кометы, М., 1966; Орлов С. В., О природе комет, М., 1958.

ვ. ჯაფიაშვილი.

კომეტსახის ნისლეული, კომეტის ფორმის *გალაქტიკური ნისლეული*, ზომა≈ 1 *პს*. ასხივებს უწყვეტ სპექტრს. კ. ნ-ის თავი შეიცავს ახალგაზრდა ვარსკვლავს (კუროს T-ს ტიპისას), რ-იც იწვევს ნისლეულის ნათებას. ზოგიერთ კ. ნ-ს ვარსკვლავიდან სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი კომეტის ფორმა აქვს, ზოგს გლობულისა და სხვ. ვარაუდობენ, რომ კ. ნ-ები დიფუზურ ნისლეულებში არსებული აირ-მტვროვანი მატერიისაგან წარმოიშვნენ

კომი ენა, კ ო მ ი-ზ ი რ ი ა ნ უ ლ ი ე ნ ა, ფინურ-უგრულ ენათა პერმული ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია რსფსრ კომის ასსრ-ში. ლაპარაკობს 266 ათ. კაცი (1970, აღწერა). კ. ე. *კომი-პერმული ენის* ახლომონათესავეა. ტიპოლოგიურად აგლუტინაციური ენაა, ჭარბობს სუფიქსაცია. წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია. მრავლადაა ნასესხები სიტყვები ირან., სამოდიური და რუს. ენებიდან. დამწერლობა შეიქმნა XIV ს-ში სლავ. და ბერძნ. ანბანის საფუძველზე. თანამედროვე დამწერლობა დაფუძნებულია რუს. გრაფიკაზე.

კომივოიაჟერი (ფრანგ. commis—მოსამსახურე, voyageur—მოგზაური), სავაჭრო ფირმის მოგზაური აგენტი, რ-იც მოქმედებს რ-იმე კაპიტალ. საწარმოს მინდობილობით და სახელით. იგი მყიდველებს უჩვენებს თავისი ფირმის საქონლის ნიმუშებს, იღებს მათგან შეკვეთებს, დებს ხელშეკრულებებს და სხვ.

კომიკსი (ბერძნ. kōmiks), თეატრალური ამპლუა; კომიკური როლების შემსრულებელი მსახიობი.

კომილა, ქალაქი ბანგლადეშში, ჩიტაგონგის ოლქში, მდ. გომატის ნაპირზე. 60,4 ათ. მცხ. (1967). რკინიგზის სადგური. ტყავით ვაჭრობის ცენტრი. ასანთის ფ-კა. ხელოსნობა. სოფ. მეურნ. აკადემია.

კომინი (Commynes, Comines) ფილიპ დე (1447 — 18. X. 1511, არენტონი), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი. წარმოშობით ფლანდრიელი აზნაური. *შარლ გულადთან* დაახლოებული პირი. 1472 უღალატა მას და საფრ. მეფე ლუი XI-ის უახლოესი მრჩეველი გახდა, შემდეგ სარეგენტო საბჭოს წევრი და შარლ VIII-ის მრჩეველი. მისი „მემუარები" (მოიცავს 1464—98) უმნიშვნელოვანესი ისტ. წყა-


კომის ასსრ
48°
60°
64°
ბალეზინი
ბალეზინი-მარი
ბალეზინი-ბერეგოვაია
ბალეზინი-ბერეგოვაია
ბალეზინი-ბერეგოვაია

როა ლუი XI-ის მმართველობის პერიოდისათვის, თავის დროზე ეს ნაწარმოები დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

კომინტერნი, იხ. *კომუნისტური ინტერნაციონალი.*

კომი-პერმელთა ავტონომიური ოკრუგი (1977-მდე კომი-პერმელთა ნაციონალური ოკრუგი), შედის რსფსრ პერმის ოლქში. შეიქმნა 1925 წ. 26 თებ. ფართ. 32,9 ათ. *კმ²*. მოსახლ. 173 ათ. (1979). ოკრუგში 6 რ-ნი, 1 ქალაქი და 3 დაბაა. ცენტრი — ქ. კუდიმკარი. კ.-პ. ა. ო. მდებარეობს ურალისწინეთში, მდ. კამის აუზში. რელიეფი ძირითადად ვაკეა, ჩრდ-ით არის ჩრდილოეთის უვალები (უმაღლესი წერტილი 270 *მ*), დას-ით — ზემო კამის მაღლობი (სიმაღლე 280 *მ*-მდე). ჰავა კონტინენტურია. მთავარი მდინარეა კამა. ტბები ძირითადად ჭალებშია. ტერიტ. 80% დაფარულია ტაიგის ტყით, ჭარბობს ნაძვნარი (ჩრდ-ით — ფიჭვნარი). მერქნის მარაგი 300 მლნ. *მ³* აღწევს. ტერიტ. თითქმის 5% ჭაობს უკავია. მთავარი სარეწი ცხოველებია: ციყვი, კურდღელი, ყარყუმი, მელა, კვერნა, ტყის ქათამი, როჭო და სხვ.

ოკრუგის მკვიდრი მოსახლეობაა კომი-პერმელები (58%, 1970), ცხოვრობენ აგრეთვე რუსები (36%) და სხვ. საშ. სიმჭიდროვე 5,3 კაცი 1 *კმ²*-ზე (სამხრ-ში 20 კაცზე მეტი). მოსახლ. 24% ქალაქად ცხოვრობს.

ისტორიული ცნობა. კომი-პერმელი ხალხი კამისპირეთის ტერიტორიაზე ახ. წ. I ათასწლ. ბოლოს გამოჩნდა. რუს. წყაროებში პირველად იხსენიებიან XII ს. დასასრულს. ამ დროისათვის ისინი პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და ფეოდ. ურთიერთობის აღმოცენების საფეხურზე იდგნენ. XIV ს-იდან გაძლიერდა მოსკ. სამთავროს გავლენა, რაც ამ ხალხის გაქრისტიანებაში გამოიხატა. XV ს. II ნახევარში კომი-პერმელთა მიწები მოსკ. სახელმწიფომ შეიერთა. XVI ს. I ნახევარში გაჩნდა მარილის მრეწველი სტროგანოვების ფეოდ. მამული. XIX ს. ბოლოსათვის გაძლიერდა ქონებრივი განფენება სოფლად, სადაც 55%-მდე ღარიბი იყო. 1917 ოქტ. რევოლუციამ კომი-პერმელ ხალხს გაუხსნა განვითარების ახ. გზა, უზრუნველყო მათი მეურნ., კულტ. და ყოფის სოციალ. გარდაქმნის პირობები. 1919 კომი-პერმელთა მთელი ტერიტ. ხელთ იგდეს თეთრგვარდიელებმა, 1920 მარტში საბჭ. ხელისუფლება აღდგა.

მეურნეობა. მეურნეობაში წამყვანია სოფ. მეურნ. და ტყის მრეწველობა. 1978 ოკრუგში იყო 26 კოლ-ბა და 29 საბჭ. მეურნეობა. სათესი ფართობის უმეტესი ნაწილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს (ჭვავი, შვრია, გაზაფხულის ხორბალი), საკვებ ბალახს, აგრეთვე კარტოფილს, ბოსტნეულს, სელს. მეცხოველეობა სარძევე-სახორცე მიმართულებისაა. განვითარებულია ხე-ტყის დამუშავება. არის ხორცკომბინატი, კარაქის, სელის, ლითონდასამუშ. და სარემონტო ქ-ნები, საშენ მასალათა, სამკერვალო-სატრიკოტაჟო წარმოება და სხვ. გაყვანილია ელექტროხაზი პერმ—კუდიმკარი, რ-იც ოკრუგს აკავშირებს ურალის ენერგოსისტემასთან. განვითარებულია საავტ. და სამდ. ტრანსპორტი. სანაოსნოა მდ. კამა. არის ადგილ. ავიახაზები, რეგულარული ავიაკავშირია პერმთან. ოკრუგში არის ყველა ტიპის 215 ზოგადსაგანმან. სკოლა (1979/80), 4 საშ. სპეც. სასწავლებელი, 130 მასობრივი ბ-კა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და დრამ. თეატრი (კუდიმკარში), 211 საკლუბო დაწესებულება, 308 კინოდანადგარი, პიონერთა სასახლე და სხვ. გამოდის საოკრუგო გაზ. „პო ლენინსკომუ პუტი" (1926-იდან), მუშაობს ადგილ. რადიომაუწყებლობა. ოკრუგი დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის (1974) და შრომის წითელი დროშის (1975) ორდენებით.

კომი-პერმული ენა, ფინურ-უნგრულ ენათა პერმული ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია კომი-პერმელთა ავტონომიურ ოკრუგში (პერმის ოლქი). ლაპარაკობს 131,2 ათ. კაცი (1970, აღწერა). კ.-პ. ე. კომი-ზირიანულის ახლომონათესავეა. ტიპოლოგიურად აგლუტინაციური ენაა, ჭარბობს სუფიქსაცია. წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია. მრავლადაა თურქ., ირან. და რუს. ენებიდან ნასესხები სიტყვები. აქვს 2 ძირითადი დიალექტი: ჩრდ. და სამხრ., რ-საც სალიტ. ენა ეფუძნება. დამწერლობა შეიქმნა XIV ს-ში სლავ. და ბერძნ. ანბანის საფუძველზე. თანამედროვე დამწერლობა დაფუძნებულია რუს. გრაფიკაზე.

კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (Коми Автономнõй Сõветскõй Социалистическõй Республика), კომის ასსრ, შედის რსფსრ-ში. შეიქმნა როგორც ავტონ. ოლქი 1921 წ. 22 აგვ., გარდაიქმნა ასსრ-დ 1936 წ. 5 დეკემბერს. მდებარეობს სსრკ ევრ. ნაწილის ჩრდ.-აღმ. მხარეში. ფართ. 415,9 ათ. *კმ²*. მოსახლ. 1118 ათ. კაცი (1979), მ. შ. 71% ქალაქში ცხოვრობს. დედაქალაქი—სიქტივკარი. რესპუბლიკაში 15 რ-ნი, 7 ქალაქი და 47 დაბაა.

კომის ასსრ სოციალ. საერთო-სახალხო სახელმწიფოა. მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია კომის ასსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიაზე 1978 წ. 23 მაისს. ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო, რ-იც ირჩევს თავის მუდმივმოქმედ ორგანოს—კომის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. უმაღლეს საბჭოს მოსახლ. ირჩევს 5 წლით. სახელმწ. ხელისუფლების უმაღლესი აღმასრ. და განმკარგულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო — მთავრობა, რ-საც ქმნის ავტონ. რესპ. უმაღლესი საბჭო. ხელისუფლების ადგილ. ორგანოებია სარაიონო, საქალაქო, ქალაქის რ-ნების, სადაბო, სასოფლო დასახლ. პუნქტების სახ. დეპუტატთა საბჭოები.

ბუნება. ტერიტ. უმეტესი ნაწილი ვაკეა, რ-საც სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-კენ ჰკვეთს ტიმანის ჭიუხი. აღმ-ით აღმართულია ურალის მთები (უმაღლესი წერტილი — მთა ნაროდნაია, 1895 *მ*). ტიმანის ჭიუხსა და ურალს შორის მდებარეობს პეჩორის დაბლობი. რესპ. მდიდარია მინერ. რესურსებით (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, საწვავი ფიქლები, ასფალტიტები, ტიტანის მადანი, ბოქსიტები და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტ. რესურსები. მათი პოტენციური მარაგი სსრკ ჩრდ.-დასავლეთის რესურსების 9/10 შეადგენს.

ჰავა ზომიერად კონტინენტურია, იცის ხანგრძლივი, საკმაოდ მკაცრი ზამთარი და ხანმოკლე, შედარებით თბილი ზაფხული. სამხრ.-დას-იდან ჩრდ.-აღმ-კენ ჰავა თანდათან მკაცრდება. სიქტივკარში იანვ. საშ. ტემპ-რაა —15,1°C, ივლ. 16,6°C; უხტაში — შესაბამისად —17,3°C და 15,3°C, ვორკუტაში —20,4°C და 11,7°C. რესპ. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. ნაწილში განვითარებულია მარადი მზრალობა (ტერიტ. 13%). ნალექები 600—700 *მმ* წელიწადში, ურალის მთებში 1500 *მმ*-მდე. ჭაობებს ტერიტ. 12—15% უკავია. გავრცელებულია ეწერი და ტუნდრის ნიადაგები. რესპ. ტერიტ. უმეტესი ნაწილი ტაიგაა. ტყეს უჭირავს 28,7 მლნ. *ჰა* (ტერიტ. 69%). ჩ. გ. 66°-ის ჩრდ-ით ტაიგას ენაცვლება ტყეტუნდრა და ტუნდრა. სარეწაო ცხოველებიდან ყველაზე ძვირფასია ყარსალი, კვერნა, წავი, ციყვი, მელა, კურდღელი; ფრინველებიდან — როჭო, იხვი, ტყის ქათამი, თეთრი კაკაბი.

პეჩორის ზემოთში პეჩორა-ილიჩის ნაკრძალია. ჩრდ. და პოლარეთისპირა ურალის ფარგლებში შექმნილია სახელმწ. ბუნებრივი პარკი (1971). რესპუბლიკაში არის ბალნეოლ. კურორტი სერიოგოვო.

მოსახლეობა. მკვიდრი მოსახლეები კომელები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე რუსები, უკრაინელები, ბელორუსები და სხვ. რესპ. ტერიტ. ძალზე არათანაბრადაა დასახლებული. საშ. სიმჭიდროვე 1 *კმ²*-ზე 2,7 კაცია, ხოლო პეჩორისა და ვიჩეგდის ხეობებში 15—20 კაცამდე აღწევს.

ისტორიული ნარკვევი. რესპ. ტერიტორიაზე მოსახლ. შუა პალეოლითის ეპოქაში გაჩნდა. ძვ. წ. II ათასწლ. დამდეგს ჩამოყალიბდა თანამედროვე კომელი მოსახლ. წინაპართა (ზირიანების) თემობრივი გაერთიანებები, რ-ებსაც მოიხსენიებენ XI—XIV სს. რუს. წერილობით წყაროებში. XI—XII ს-ში გრძელდებოდა თემური წყობილების რღვევისა და ფეოდ. ურთიერთობათა ჩასახვის პროცესი. XIV ს-ში კომის ტერიტ. მოსკ. სამთავროს გავლენას დაემორჩილა, გავრცელდა ქრისტიანობა. 1478 კომის მხარე ოფიციალურად შევიდა რუს. სახელმწიფოს შემადგენლობაში. XIX ს. II ნახევრიდან ვითარდება კაპიტალიზმი. XX ს. დამდეგს პოლიტ-პატიმართა ინიციატივით ჩამოყალიბდა ს.-დ. ჯგუფები. 1917 თებ. რევ. შემდეგ დამყარდა ორხელისუფლებიანობა. 1917 გაზაფხულზე შეიქმნა საბჭოები. ოქტ. რევ. გამარჯვების შემდეგ 1918 იანვ.-მარტში კომის მხარეში გამოცხადდა საბჭ. ხელისუფლება. 1919 ნოემბ. კომი დაიკავეს თეთრგვარდიელებმა. 1920 მარტში კვლავ აღდგა საბჭ. ხელისუფლება. 1921 წ. 22 აგვ.-ცაკის დეკრეტით შეიქმნა კომის (ზირიანების) ავტონ. ოლქი. საბჭ. ხელისუფლების წლებში კომის მხარე გადაიქცა ინდუსტრ.-აგრ. რესპუბლიკად. სსრკ 1936 კონსტიტუციით კომის (ზირიანების) აო გარდაიქმნა კომის ასსრ-დ.

1941—45, დიდი სამამულო ომის დროს, რესპ. ათასობით მცხოვრები იბრძოდა საბჭ. არმიის რიგებში. მ. შ. 16 საბჭ. კავშირის გმირი გახდა. 13 ათ. დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. 1966 რესპ. დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1971 ოქტ. რევ. ორდენით, 1972 — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სახალხო მეურნეობა. საბჭ. ხელისუფლების წლებში კომის ასსრ აგრ.-სარეწაო პერიფერიიდან სსრკ სათბობ-ენერგეტ. და ტყის სამრეწვ. ბაზად გარდაიქმნა. სახ. მეურნ. მთლიანი პროდუქციის საერთო მოცულობაში მრეწვ. წილი 90%-ს აღემატება. მთავარი ადგილი უკავია მოპოვებით მრეწველობას. წამყვანი დარგებია — ხე-ტყის დამზადება, ქვანახშირის, ნავთობისა და აირის მოპოვება. ხე-ტყეს უმთავრესად ამზადებენ ვიჩეგდის, პეჩორისა და მეზენის აუზებში. შექმნილია ხე-ტყის სახერხი, ხის დასამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. ხე-ტყის დასამუშ. ცენტრებია: სიქტივკარი, უხტა, პეჩორა, ჟუმარტი, ჟელეზნოდოროჟნი. ქვანახშირს იღებენ *პეჩორის ქვანახშირის* აუზში, ნავთობსა და აირს — ტიმან-პეჩორის ნავთობ-აირის პროვინციის საბადოებიდან. ნავთობს ამუშავებენ უხტაში, აირს — სოსნოგორსკში. ითვისებენ იარეგის ტიტანის მადნების საბადოს. ენერგეტიკა უზრუნველყოფილია მრავალი დიდი და პატარა თესით. სიქტივკარში, ვორკუტაში, ინტაში, უხტასა და ჟელეზნოდოროჟნიში არის სარემონტო-მექან. ქ-ნები. ყველა დიდ სამრეწვ. ცენტრში აწარმოებენ საშენ მასალას. მსუბუქი მრეწვ. საწარმოებიდან მნიშვნელოვანია: ზამშის ქ-ნა (უსტ-ცილმა), ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი (სიქტივკარი), თექის ჩექმის ფ-კა (ვილგორტი), სამკერვალო ფ-კები (სიქტივკარი, ვორკუტა) და კვების მრეწვ. მრავალი საწარმო.

სოფ. მეურნ. მთავარი დარგია სარძეო მეცხოველეობა. ჩრდ. რ-ნებში მისდევენ მეირმეობას. ძირითადი სათესი ფართობი საკვებ კულტურებსა და კარტოფილს უკავია. ვითარდება მებოსტნეობა. სამხრ-ით გავრცელებულია მარცვლეული კულტურები (საშემოდგომო ჭვავი, ქერი, შვრია).

კომის ასსრ. უხტის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

დიდი მდინარეები

პეჩორა
ვიჩეგდა
მეზენი

მნიშვნელოვანი ტბები

იამოზერო
სინდორი

ქალაქები
(ათასი მცხოვრები, 1979)

სიქტივკარი	171
ვორკუტა	96
უხტა	77
ინტა	52

მეცხოველეობა
(ათასი სული, 1978)

მსხვილი რქოსანი ს.	156,2
ღორი	83,6
ცხვარი და თხა	35,0
ჩრდილოეთის ირემი	144

კომის ასსრ. ი. ბ ო რ ი ს ო ვ ი. ს. ჩერეპანოვის პორტრეტი. თუჯი. 1963. კომის ასსრ-ის სამხატვრო მუზეუმი. სიქტივკარი.

კომის ასსრ. რ. ე რ მ ო ლ ი ნ ი. „უსტცილმელი ქალი". 1972. რსფსრ-ის კულტურის სამინისტროს მხატვრული ფონდებისა და მეგლების დაპროექტების დირექცია. მოსკოვი.

კომის ასსრ. ვ. მ ა ა მ ჩ ე ნ კ ო. „ტუნდრის მეფე". გრანიტი. 1969. კომის ასსრ-ის სამხატვრო მუზეუმი. სიქტივკარი.

კომის ასსრ. ვორკუტა. შახტი „სევერნაია".

საბჭ. ხელისუფლების წლებში განვითარდა ტრანსპ. ყველა სახეობა. მთავარი სარკინიგზო ხაზებია: კოტლასი — ვორკუტა, მიკუნ—სიქტივკარი, მიკუნ—კოსლანი. გაყვანილია აირ- და ნავთობსადენები. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წყლის ტრანსპორტს.

კომის ასსრ-იდან გააქვთ ქვანახშირი, ხე-ტყე და ხე-ტყის მასალა, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ცელულოზა, ქაღალდი, მუყაო და სხვ., აირსადენებით — აირი. სხვა რესპუბლიკებიდან შემოაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, ლითონი, საშენი მასალა, მინერ. სასუქები, სამრეწვ. და სასურსათო საქონელი.

სახალხო განათლება. 1914—15 სასწ. წ. კომის ასსრ ტერიტორიაზე იყო 316 სკოლა (ძირითადად საეკლ.-სამრევლო), სადაც სწავლობდა 15 ათ. მოსწავლე. საშ. სპეც. და უმაღლესი სასწავლებლები არ იყო. 1978 წ. 1185 სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 86 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი. 780-ზე მეტ ყველა სახის ზოგადსაგანმან. სკოლაში სწავლობდა 199 ათ-ზე მეტი მოსწავლე, 37 პროფტექ. სკოლასა და სასწავლებელში — 8,4 ათ. მოსწავლე. 16 საშ. სპეც. სასწავლებელში — 18 ათ-ზე მეტი მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებლებში (სიქტივკარის პედ. ინ-ტი, უხტის ინდუსტრ. ინ-ტი, ლენინგრ. სატყეო-ტექ. აკად. სიქტივკარის ფილიალი, ვორკუტის სამთო ინ-ტის ფილიალი) — 12 ათ. სტუდენტი. 1972 სიქტივკარში გაიხსნა უნ-ტი.

1978 მუშაობდა 18 სამეცნ. დაწესებულება, მ. შ. სსრკ მეცნ. აკად. კომის ფილიალი, პეჩორის ქვანახშირის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ბუნებრივი აირების სამეცნ.-კვლ. საკავშ. ინ-ტის კომის ფილიალი, სახელმწ. სას.-სამ. საცდელი სადგური და სხვ.

1978 რესპუბლიკაში მუშაობდა 497 მასობრივი ბ-კა (5,6 მლნ. ც. წიგნი და ჟურნალი), მუზეუმი, პიონერთა და მოსწავლეთა 3 სასახლე, ნორჩ ნატურალისტთა 2 სადგური, 690 კინოდანადგარი.

რესპუბლიკაში რამდენიმე დასახელების ჟურნალი და გაზეთი გამოდის რუს. და კომის ენებზე. კომის ასსრ გამომცემლობა ყოველწლიურად უშვებს 100-ზე მეტი დასახელების წიგნსა და ბროშურას. რესპ. რადიო და ტელეგადაცემები მიმდინარეობს 2 რადიო და 1 ტელეპროგრამით. ტელეცენტრებია სიქტივკარში, ვორკუტასა და უხტაში.

ლიტერატურა. კომის ლიტ-რას საფუძვლად დაედო ხალხური ზეპირსიტყვიერება. ძვ. კომის დამწერლობის (ჩამოაყალიბა მისიონერმა სტეფანე პერმელმა) ნიმუშები განეკუთვნება XIV—XVI სს. ლიტ-რას საფუძველი ჩაუყარა პოეტმა დემოკრატმა ი. *კურატოვმა*. თანამედროვე კომის ლიტ-რის პირველი ნაწარმოებები 1918 გამოქვეყნდა. ამ პერიოდის წამყვანი ჟანრები იყო პოეზია და დრამატურგია [ვ. საკინი (ნიობდინს ვიტორი, 1888—1943); ვ. ჩისტალევი (ტიმა ვენი, 1890—1939); ვ. ლიტკინი (ილია ვასი, დ. 1895). XX ს. 20-იან წწ. ბოლოს უპირატესობა პროზამ მოიპოვა (ნარკვევი, ნოველა). 30-იანი წწ. ლიტ-რის მომწიფების პერიოდი იყო. გაჩნდა მოთხრობა (გ. ფიოდოროვი, დ. 1909; ი. იზიუროვი, დ. 1910; პ. დორონინი, 1904—67), რომანი (ვ. იუხნინი, 1907—60). შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები კომელი ხალხის რევ. წარსულზე, დიდი სამამულო ომის, ომის შემდგომი მშენებლობის თემაზე [ი. პისტინი, გ. ფიოდოროვი, ვ. იუხნინი, ი. იზიუროვი, ა. ლიურეოვი (დ. 1923), ვ. შირიაევი (დ. 1926), პ. შახოვი (დ. 1931), ს. პოპოვი, ი. ტოროპოვი]. ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდა ლიტმცოდნეობა და ლიტ. კრიტიკა. ჟ-ის ლიტ-რის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სსრკ-ის და სოციალ. ქვეყნების ხალხთა ენებზე.

ხელოვნება. რესპ. ტერიტორიაზე აღმოჩენილია მეზოლითური ხანის ხისა და ქვის ორნამენტირებული იარაღი, ჭურჭელი, ძვლის ნაკეთობანი. დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ე. წ. პერმული ცხოველური სტილის ნიმუშები (ახ. წ. I და II ათასწლ. დასაწყისი); ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული რეალური და ფანტასტ. ფრინველებისა და ცხოველების, აგრეთვე ადამიანთა გამოსახულებანი. კომელთა წინაპრებს მიეკუთვნება ვიმის კულტურის დიდი რაოდენობის საიუველირო ნაკეთობანი (X—XIV სს.). ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა ხის ხუროთმოძღვრების განვითარებას. იგი ახლოსაა ჩრდ. რუსულ ხუროთმოძღვრებასთან. XIX ს-ში უპირატესად გავრცელებული იყო მორებით ნაგები 1- ან 2-სართულიანი მასიური შენობები, რ-თაც უშუალოდ ეკვროდა გადახურული ეზო ბოსლითა და საბძლით. ეკლესიებს აგებდნენ როგორც ხისგან (პარასკევას კარავისებრი ეკლესია უდორის რ-ნის სოფ. კრივოეში), ისე ქვისაგან (სტეფანე პერმელის ეკლესია უსტ-ვიმში, 1759).

საბჭ. ხელისუფლების პერიოდში, 1930-იან წლებში ფართო მშენებლობა გაიშალა სიქტივკარში. შეიქმნა იმიერპოლარული ქალაქი ვორკუტა (1943), ქ-ები უხტა (1943), პეჩორა (1949), სისნოგორსკი (1955) და სხვ. ძირითადად აშენდა 5—9-სართულიანი სახლები დამტკიცებული გეგმის მიხედვით. 1958 კომის ასსრ-ში შეიქმნა სსრკ არქიტ. კავშირის განყ-ბა. ხალხ. შემოქმედება წარმოდგენილია ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადებით. მორთულობაში ჭარბობს კამისპირეთის კულტურისათვის დამახასიათებელი ძვ. მოტივები. საფეიქრო ნაწარმი ძირითადად თეთრ ფონზე წითელი ძაფის ნაქარგია არის შემკული. ნაქსოვები კი გამოყვანილია სხვადასხვა ფერის შალის ძაფებით. კომის ასსრ ჩრდ. რ-ნებში გავრცელებულია ბეწვის ნაკეთობანი (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ.).

სახვ. ხელოვნება რესპუბლიკაში მხოლოდ საბჭ. პერიოდში შეიქმნა და დაკავშირებულია მხატვარ ვ. პოლიაკოვის სახელთან. 1942 დაარსდა კომის ასსრ მხატვართა კავშირი. 40-იან წლებში გაჩნდა დაზგური ფერწერა (ვ. პოსტნიკოვი, მ. ბეზნოსოვი). 40—50-იან წლებში იქმნება პირველი სიუჟეტური ტილოები და პორტრეტები (ნ. ჟილინი, პ. მიტიუშევი). 50-იან წლებში საფუძველი ეყრება ქანდაკებას. ხელოვნ. განსაკუთრებით განვითარდა 60-იან წლებში. 1950-იანი წლებიდან ვითარდება გრაფიკა.

მუს. ფოლკლორი მოიცავს სხვადასხვა ჟანრის (შრომითი, საყოფაცხოვრებო, ლირიკული) სიმღერებს. გავრცელებულია სოლო და გუნდური (2-და 3-ხმიანი) სიმღერები. ეროვნ. პროფ. მუსიკა შეიქმნა ოქტ. რევ. შემდეგ. ცნობილი კომპოზიტორები არიან ვ. საკინი, ა. ოსიპოვი, პ. ჩისტალიოვი და სხვ. მომღერლებიდან აღსანიშნავია კომის ასსრ სახ. არტისტი ვ. ესეევა, კომის ასსრ დამს. არტისტები პ. ოსიპოვი, ე. ორლოვა.

რესპუბლიკაში მუშაობს მუს. თეატრი (დაარსდა 1958), ფილარმონია (1939-იდან), სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (1939-იდან), 2 სამუს. სასწავლებელი (სიქტივკარსა და ვორკუტაში) სამუს. სკოლები.

თეატრ. ხელოვნება განვითარდა ოქტ. რევ. შემდეგ. 1930 პოეტმა, დრამატურგმა, კომპოზიტორმა და საზ. მოღვაწემ ვ. საკინმა შექმნა თეატრ. კურსები. 1936 სიქტფუკარში გაიხსნა მუდმივი დრამ. თეატრი. თეატრ. მოღვაწეთა შორის აღსანიშნავია ნ. დიაკონოვი, პ. მისოვი, რსფსრ და კომის ასსრ სახ. არტისტები ი. ავრამოვი, კომის ასსრ სახ. არტისტი გ. სიდოროვა და სხვ. ვორკუტაში მუშაობს დრამ. თეატრი (1942—56 მუს. დრამ.) და თოჯინების თეატრი (1956-იდან).

ლიტ.: Коми — край мой северный, Сыктывкар, 1970; Л а ш у к Л. П., Формирование народности комн, М., 1972; М и к у ш е в А. К., Коми литература и народная поэзия, Сыктывкар, 1961; Очерки по истории Коми АССР, т. 1—2, Сыктывкар, 1955—62; Т о р л о п о в Г. И., Писатели Коми АССР, Сыктывкар, 1961.

კომისარჟევსკაია ვერა თეოდორეს ასული [27. X (8. XI). 1864, პეტერბურგი,— 10(23). II. 1910, ტაშკენტი], რუსი მსახიობი. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1888 პეტერბურგში. 1896 მიიწვიეს პეტერბ. ალექსანდრას თეატრში. ჟ. გამოირჩეოდა დრამ. სიღრმით, ტემპერამენტით, დახვეწილი ფსიქოლოგიზმით. თავის შემოქმედებაში იგი გამოხატავდა რევ. წინა წლების მოწინავე ინტელიგენციის აზრებსა და და მისწრაფებებს. 1904 პეტერბურგში ჩამოაყალიბა საკუთარი თეატრი (იხ. *კომისარჟევსკაიას თეატრი*), სადაც უდიდესი წარმატებით გამოდიოდა მ. გორკის, ჩეხოვის, იბსენის პიესებში. ჟ. მარდავდა კონცერტებს (კითხულობდა გორკის ნაწარმოებებს „სიმღერა ქარიშხალაზე" და „სიმღერა შავარდენზე"), რ-თა შემოსავალს მთლიანად ახმარდა რევ. წრეებს. იყო გასტროლებზე ჩრდ. ამერიკაში. 1909 სცენა მიატოვა, რათა ახ. კადრები აღეზარდა და ახ. თეატრი შეექმნა, მაგრამ არ დასცალდა. ტაშკენტში გასტროლების დროს შავი ჭირით გარდაიცვალა.

ლიტ.: М а р к о в П., В. Ф. Комиссаржевская, М., 1950; О Комиссаржевской. Забытое и новое. Воспоминания. Статьи. Письма, М., 1965.

კომისარჟევსკაიას თეატრი, 1904 პეტერბურგში ვ. *კომისარჟევსკაიას* მიერ დაარსებული თეატრი. საზ.-პოლიტ. მოვლენად იქცა ჟ. Ო-ის სპექტაკლები. მ. გორკის „მოაგარაკენი" (1904, პირველი დადგმა) და „მზის შვილები" (1905). ფართო აღიარება მოიპოვა *იბსენის* „თოჯინების სახლმა" და სხვ. 1905 თეატრმა სპექტაკლები გამართა გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ. 13—14 ოქტ. თეატრში სპექტაკლები მოიხსნა და დასი გაფიცულებს შეუერთდა. შემდგომში ვ. კომისარჟევსკაია სიმბოლისტური, პირობითი თეატრის იდეებმა გაატაცა და დასში მთავარ რეჟისორად მიიწვია ვ. *მეიერხოლდი*, რ-მაც დადგა მეტერლინკის „და ბეატრისა", ბლოკის „ბალაგანი", ანდრეევის „ცხოვრება ადამიანისა" და სხვ. ვ. კომისარჟევსკაია ვერ შეეგუა თეატრში რეჟისორის დიქტატურას, თავი იჩინა კონფლიქტმა. 1908 კომისარჟევსკაიამ დასის ნაწილთან ერთად დატოვა თეატრი და საგასტროლოდ გაემგზავრა. 1910, კომისარჟევსკაიას სიკვდილის შემდეგ, თეატრი დაიხურა.

კომისია (ლათ. commissio — დავალება), სამოქალაქო სამართალში — ხელშეკრულება, რ-ითაც ერთი მხარე (კომისიონერი) ვალდებულებას კისრულობს მეორე მხარის (კომიტენტის) დავალებით სასყიდლით დადოს ერთი ან რამდენიმე გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე (საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მმ. 408—426). უმეტეს შემთხვევაში ჟ. გვევლინება ყიდვა-გაყიდვის გარიგების სახით. კომისიონერს უფლება აქვს გადაუხვიოს კომიტენტის მითითებებს მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით ეს აუცილებელია კომიტენტის ინტერესებისათვის. კომისიონერი, რ-იც ქონებას იმაზე ნაკლებ ფასად გაყიდის, რაც კომიტენტმა დაუთქვა, როგორც წესი, მოვალეა აუნაზღაუროს მას განსხვავება. კომისიონერს დავალების შესრულების შემდეგ უფლება აქვს მიიღოს გასამრჯელო კომიტენტისაგან. საკომისიო გასამრჯელო განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სსრკ-ში კომისიონერი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალ. ორგანიზაცია, რ-ის წესდებითაც არის გათვალისწინებული ასეთი ფუნქციების შესრულება (მაგ., საკომისიო მაღაზია, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია, რ-იც რეალიზაციას უკეთებს ზედმეტ სას.-სამ. პროდუქციას, და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, რ-იც სოც. ორგანიზაციების დაკვეთით უცხოეთში იძენს საიმპორტო საქონელს).

ნ. წერეთელი.

კომისკო (Comisco. შემოკლ. < ფრანგ. Comité International Socialiste Consultatif — საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების კომიტეტი), იმ სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციული ცენტრი, რ-თაც მემარჯვენე სოციალისტები ხელმძღვანელობენ. არსებობდა 1947 დეკიდან 1951 ივნ-მდე (ცენტრი იყო ლონდონში). ნიადაგი მოამზადა *სოციალისტური ინტერნაციონალის* (1951) შესაქმნელად.

კომიტასი (ნამდვ. სახელი და გვარი სოღომონ გევორქის ძე ს ო ღ ო მ ო ნ ი ა ნ ი) [26. IX (8. X). 1869, დაბა კუტინა, თურქეთი, — 22. X. 1935, პარიზი], სომეხი კომპოზიტორი, საგუნდო დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე. 1893 დაამთავრა ეჩმიაძინის სას. აკადემია. 1896—99 ბერლინში სწავლობდა მუს. თეორიასა და ისტორიას. 1899-იდან ცხოვრობდა ეჩმიაძინში, ხელმძღვანელობდა სას. აკად. მუს. კლასებსა და გუნდს. 1910 საეკლ. წრეებთან კონფლიქტის გამო გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. 1919-იდან ცხოვრობდა პარიზში. 1936 მისი ნეშტი პარიზიდან ერევანში გადაასვენეს. კ. სომხ. მუსიკის კლასიკოსი, საგუნდო პოლიფონიის ოსტატი, სომხ. სამეცნ. ეთნოგრ. ფუძემდებელია. მან შეკრიბა და გამოსცა სომხ. ხალხ. სიმღერები. როგორც მომღერალი, გუნდის ხელმძღვანელი და ლექტორი ამიერკავკასიასა და დას. ევრ. ქვეყნებში ეწეოდა სომხ. ხალხ. მუსიკის პროპაგანდას. კ-ის მკვეთრად ეროვნ. (უპირატესად ვოკალურმა) მუს. შემოქმედებამ ხელი შეუწყო სომხური ეროვნ. საკომპოზიტორო სკოლის შექმნას. 1925 შეიქმნა კ-ის სახ. კვარტეტი. მისი სახელი ეწოდა ერევნის კონსერვატორიას (1948).

კომიტატივი (გერმ. Komitativus<ლათ), 1. ბრუნვის ფორმა, რ-იც გამოხატავს თანხლებას ან თანამონაწილეობას, მაგ., ბასკ. gizon-ekin „კაცთან ერთად". 2. თანხლების ნიუანსი მოქმედებით ბრუნვაში (ქართულში გადმოიცემა ურთ-თანდებულიანი მოქმედებითით).

კომიქსი (ინგლ. comics, მრ. რ. < comis — სასაცილო, კომიკური), გრაფიკულ-თხრობითი ჟანრი; საერთო სუფეტზე აგებული ნახატების სერია მომცრო წარწერებითურთ. დას. ევრ. და აშშ-ის ბურჟ. პრესაში განსაკუთრებით პოპულარულია „საშინელებათა კომიქსები" („horror-comics"), „ველური დასავლეთი" („Westerners"), „ზადამიანი" („Superman"). კ-ის ჟანრს ხშირად იყენებს პროგრ. პრესაც. საყოველთაო მოწონებას იმსახურებს ამერ. კინორეჟისორის უ. დისნეის ნახატების სერია, ფრანგი ჟ. ეფელის „სამყაროს შექმნა". სსრკ-ში საბავშვო ჟურნალი „ვესიოლიე კარტინკი" ხშირად აქვეყნებს ნახატების სერიებს.

„კომიშე ოპერ" („Komische Oper"), საოპერო თეატრი ბერლინში, გდრ-ის ერთ-ერთი წამყვანი მუს. თეატრი. გაიხსნა 1947, „კ. ო-ის" დამაარსებელი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია ვ. ფელზენშტაინი. თეატრის რეპერტუარშია მსოფლიო კლასიკის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: ბიზეს „კარმენი" (1949), ვებერის „თავისუფალი მსროლელი" (1951), მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა" (1954), ვერდის „ოტელო" (1959), სმეტანას „გაყიდული საპატარძლო" (1960), პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარული" (1968), გერშვინის „პორგი და ბესი" (1970) და სხვ. 1966 „კ. ო-ში" შეიქმნა საბალეტო დასი (მთავარი ბალეტმაისტერი ტ. *შილინგი*). საოპერო დასი გასტროლებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ. შ. სსრკ-ში (1959, 1965). საბალეტო დასი სსრკ-ში გამოვიდა 1970.



კომიტია (ლათ. comitia<comeo, coëo— ვიკრიბები), სახალხო კრება ძვ. რომში. იყო 3 სახისა. 1. კურიული კ. (Comitia Curiata), რ-იც იკრიბებოდა კურიების (გვაროვნ. გაერთიანებების) მიხედვით. მომდინარეობდა გვაროვნ. საზ-ბიდან. იგი ირჩევდა მეფეს („მეფეთა ხანაში", ძვ. წ. VIII—VI სს.), წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხებს, ხოლო რესპუბლიკის დროს მას შემორჩა სხვა კ-ზე არჩეულ მაგისტრატთა ფორმალური დამტკიცებების რელიგ., საგვარეულო და საოჯახო ურთიერთობის მოწესრიგების ფუნქციები. 2. ცენტურიული კ. (Comitia centuriata) — იკრიბებოდა სამხ. ერთეულების — ცენტურიების (ასეულები) მიხედვით. აერთიანებდა პატრიციებს და პლებეებს ქონებრივი ცენზის მიხედვით. იწონებდა ან აუქმებდა სახელმწ. კანონებს, ირჩევდა უმაღლეს მაგისტრატებს (დიქტატორი, კონსული, პრეტორი, ცენზორი), განაგებდა მართლმსაჯულებასაც. იწვევდნენ უმაღლესი მაგისტრატები მარსის მინდორზე. 3. ტრიბული კ. (Comitia tributa) — სახალხო კრება ტრიბების — ტერიტ. ოლქების მიხედვით. გაჩნდა ძვ. წ. V ს-იდან. ძვ. წ. 287 ჰორტენსიუსის კანონით ტრიბულ კ-ს უმაღლესი საკანონმდებლო და მართლმსაჯულების ფუნქციები მიენიჭა. ირჩევდა ზოგ მაგისტრატს (კვესტორი, ედილი, სახ. ტრიბუნი). კ-ების უმაღლესი რწმუნებანი ძალაში შედიოდა, თუ მას სენატი მოიწონებდა. იმპერიის ხანაში კ-ებმა საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.

კომკავშირელი, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის განშტოებაზე, მდ-ების მესტიაჭალისა და ტვიბერის (ენგურის სისტემა) წყალგამყოფ გვალდის ქედზე. სიმაღლე 3690 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ხასიათდება თანამედროვე გამყინვარებით, კალთებზე სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

კომკავშირი, იხ. *სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი.*

კომკავშირული ბეჭდვითი სიტყვა, სპეციალიზებული კომკავშირულ-ახალგაზრდული პერიოდული გამოცემები, პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შემადგენელი ნაწილი. კ. ბ. ს-ის დაარსების, განვითარებისა და მოღვაწეობის ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი.

პროლეტ. რევ. ახალგაზრდული პერიოდული გამოცემები აღმოცენდა მუშა-ახალგაზრდობის პირველ ორგანიზაციებთან ერთად. 1918 კომკავშირის დაარსებამ დასაბამი მისცა კ. ბ. ს-ის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. იმავე წლის ოქტ-ში მოსკოვში გამოიცა რაკკ ცკ-ის პირველი ბეჭდვითი ორგანო—ჟურნ. „იუნი კომუნისტი", შემდეგ გამოვიდა ადგილ. კომიტეტების გაზეთები: „იუნი კომუნარი" (1919, მოსკოვი), „სმენა" (1919, პეტროგრადი), „კრასნაია მოლოდიოჟი" (1919, ვილნიუსი), „მოლოდიო რაბოჩი" (1919, ბაქო) და სხვ. 1922 მაისში გამოვიდა მეცნ.-პოპულ. და ლიტ.- მხატვრული ახალგაზრდული ჟურნ. *„მოლოდაია გვარდია"*. კომკავშირის V ყრილობისათვის (1922, ოქტ.) გამოდიოდა 45 კომკავშირული გაზეთი და 10 ჟურნალი. ყრილობის დადგენილებით იმავე წელს დაარსდა რაკკ-ის გამომც. *„მოლოდაია გვარდია"*, 1924—ჟურნ. „სმენა" და 1925—„კრესტიანსკაია მოლოდიოჟი". 1925 წ. 24 მაისს გამოვიდა კომკავშირის ცკ-ის ცენტრ. ორგანო *„კომსომოლსკაია პრავდა"*.

20-იან წლებში დაიწყო ეროვნ. კ. ბ. ს-ის განვითარება: ალმა-ათაში ყაზ. ენაზე გამოვიდა გაზ. „ლენინშილ ჟასი" (1922), თბილისში ქართ. ენაზე გაზეთები „სპარტაკი" (1922), „ახალგაზრდა კომუნისტი" (1925), ტაშკენტში უზბ. ენაზე „ეშ ლენინჩი" (1925) და სხვ. 1929—40 ომამდელ ხუთწლედებში კ. ბ. ს. სოციალიზმის მშენებელთა კოლექტ. ტრიბუნად იქცა, რასაც დიდად შეუწყო ხელი მუშსოფლ-კორულმა მოძრაობამ. კომკავშირულ პრესაში აქტიურად თანამშრომლობდნენ საბჭ. მწერლები: მ. გორკი, ვ. მაიაკოვსკი, ნ. ოსტროვსკი, ა. ფადეევი, ლ. ლეონოვი, მ. შოლოხოვი, მ. შაგინიანი, მ. კოლცოვი, მ. სვეტლოვი, ა. გაიდარი და **სხვ.**

ვ. კომისარჟევსკაია.

ვ. კ ო მ ი ს ა რ ჟ ე ვ ს კ ა ი ა ლარისას როლში (ა. ოსტროვსკის „უმზითვო").

კომიტასი.

დიდი სამამულო ომის წლებში (1941—45) კ. ბ. ს-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში, ომის შემდგომ სახ. მეურნ. აღდგენაში. კომკავშირული პრესა აშუქებს კომკავშირულ ცხოვრებასა და საქმიანობას, ახალგაზრდობის შრომით მიღწევებს, მის მაღალ მორალურ თვისებებს; დიდ ადგილს უთმობს პოლიტ., სახ. მეურნ., მრეწვ., ესთეტ., ლიტ-რის, სპორტის საკითხებს; ბეჭდავს კრიტ. სტატიებს, რეცენზიებს, მართავს დისკუსიებს და სხვ. 1979 სსრკ-ში გამოდიოდა 131 კომკავშირული გაზეთი, რ-ის საერთო ტირაჟია 16,6 მლნ. ც., მ. შ. 1 საკავშირო — „კომსომოლსკაია პრავდა", 28—რესპუბლიკური ეროვნ. და რუს. ენებზე.

სსრკ კ. ბ. ს-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოციალ. ქვეყნების ახალგაზრდული მასობრივი ბეჭდვითი სიტყვის დამკვიდრებასა და განვითარებაში. სოციალ. ქვეყნებში ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდული კავშირების გაზეთები: „ნაროდნა მლადეჟი" (ბულგ.), „იუნგე ველტი" (გდრ), „შტანდარ მლოდიხი" (პოლ.), „მლადა ფრონტა", „სმენა" (ჩეხოსლ.) და სხვ. პრაქტიკაში დამკვიდრდა სოციალ. ქვეყნების ახალგაზრდულ გამომცემლობათა მიერ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ერთობლივი გამოცემა. 1972-იდან საკ. ალკკ ცკ და ახალგაზრდობის დიმიტროვის კომუნისტური კავშირის ცკ ერთად გამოსცემენ საბჭ.-ბულგ. ლიტ.-მხატვრულ და საზ.-პოლიტ. ალმანახს „დრუჟბას". კაპიტალ. ქვეყნებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების ბეჭდვითი სიტყვა. საერთო აღიარება პოულობს გამოცემებმა: „ავანგარდმა" (საფრანგეთი), „ნუოვა ჯენერაციონემ" (იტალია) და **სხვ.**

ლიტ.: Ленин В. И., Полн. собр. соч., 5 изд., т. 16, 41; О партийной и советской печати. Сб. документов, М., 1954.

„კომკავშირული პროექტორი“, ხატოვანი სახელწოდება მოძრაობისა, რ-იც მოაწყო კომკავშირმა 1962; საზ. კონტროლში საბჭ. ახალგაზრდობის მასობრივი მონაწილეობის ფორმა, რ-ის მთავარი ამოცანაა წარმოების რეზერვების გამოძებნა და გამოქვეყნება, ახალგაზრდობის შესახებ კანონმდებლობის გატარების კონტროლი, ახალგაზრდობაში სამეურნეო ინიციატივის, პირადი პასუხისმგებლობის, მართვის ჩვევების გამომუშავება; მუშაობის ფორმები — საგუშაგოები და შტაბები, რეიდ-შემოწმებები, სახ. კონტროლისა და პრესის ორგანოებთან თანამშრომლობა. „კ. პ-ის“ მუშაობაში მონაწილეობენ ასეულ ათასობით მუშა, კოლმეურნე, სპეციალისტი კომკავშირელები, ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირის კომიტეტები. პერიოდულად ეწყობა „კ. პ-ის“ საკავშ. რეიდები სახ. მეურნ. აქტუალურ პრობლემებზე: ეკონ. რეჟიმის დაცვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, ახ. ტექ. დანერგვა, ბუნების დაცვა, მოხმარების სფეროს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესება და სხვ. „კ. პ-ები“ მუშაობენ ინიციატივის, თვითმოქმედების საწყისებზე, ავლენენ ნაკლოვანებებს და სხვ. „კ. პ.“ საბჭ. დემოკრატიის განვითარებისა და სსრკ საზ.-პოლიტ. ცხოვრებაში ახალგაზრდობის ფართო უფლებების ერთ-ერთი გამოვლინებაა. „კ. პ.“ აგრძელებს *„მსუბუქი კავალერიის“*, კომკავშირული რაზმების ტრადიციებსა და გამოცდილებას.

კომლი, ცალკე ოჯახი, მოსახლე. ტერმ. მოდის „კვამლისაგან“. ფეოდ. ხანაში კ. („კვამლი“) ეწოდებოდა გლეხის, აზნაურის, თავადის ოჯახს, საცხოვრებელ სახლს, კერას, დამხმარე ნაგებობებს, მიწას, ფუძეს. იხ. აგრეთვე *საგლეხო კომლი, საკოლმეურნეო კომლი.* *ჯ. კოპალიანი.*

КОММУНИСТ

1930 1980

ჟურნალი „კომმუნისტი“.

„კომმუნისტ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი; დაარსდა 1923 წ. 19 ნოემბ. რკპ(ბ) საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებით; პირველი ნომერი გამოვიდა 1924 წ. 5 აპრ., 1925 ნოემბრამდე ეწოდებოდა „ბოლშევიკი“. „კ.“ პროპაგანდას უწევს და შემოქმედებითად ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, იბრძვის პარტიის გენ. ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, სსრკ-ში კომუნისტური საზ-ბის მშენებლობისათვის. დღიდან გამოცემისა „კ-ში“ დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის 100-ზე მეტი გამოუქვეყნებელი და ნაკლებადცნობილი ნაშრომი და დოკუმენტი, ასევე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რუს. ენაზე პირველად თარგმნილი ნაწარმოებები. ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს სკკპ და საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. ფართოდ აშუქებს მარქსისტულ-ლენინური ფილოს., პოლიტ.-ეკონ., პარტ. მშენებლობის თეორ. და პრაქტ., ისტ., კულტ. და ხელოვნ. საკითხებს. ამხილებს რეაქციულ ბურჟ. იდეოლოგიას. წელიწადში გამოდის ჟურნალის 18 ნომერი. ტირაჟი — 900 ათ. ცალზე მეტი (1979).


კომორის კუნძულები
0 5 10 15 20 30 40 50
მიცამიული
ძველი
ანჯუანი
ანჯრანდ-კომორი
ბარონი
3376
ალ. ბარელა
2560 ტუმბანი
12°
12°
2531
ფომბონი
1578
3155
მოჟელი
ანჯუანი
ტ. ფუკაუედე
ტ. ფუკაუედე
ტ. ფუკაუედე




1:12 000 000
1:22 000 000
Pb
Ag
Zn
Cu
Mo
W
Au
Ni
Co
Pt
V
Fe
Kc
Se
A
ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲗᲘᲜᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲔᲚᲝᲑᲐ
ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲜᲘᲣᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲗᲝᲕᲔᲑᲐ
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ჰ. ჰ. შედგება ვულკ. წარმოშობის რამდენიმე კუნძულისაგან, რ-თაგან უდიდესია გრანდ-კომორი, ანჟუანი, მაიოტა, მოპელი. არის მოქმედი ვულკანები. სიმაღლე 2560 *მ*-მდე. შემოფარგლულია მარჯნის რიფებით. ჰავა — ტროპ., ცხელი და ნოტიო. ნალექები 1100-იდან 3000 *მმ*-მდე წელიწადში. მთის კალთების ზედა ნაწილში ხშირი ტროპ. ტყეა, ქვემოთ — სავანა და ბუჩქნარი.

ჰ. ჰ., საფრანგეთის ყოფილი სამფლობელო ((XIX ს. დასასრულიდან), 1946 გამოეყო საფრ. ყოფილ კოლონიას — მადაგასკარს, როგორც დამოუკიდებელი ადმ. ერთეული. 1961 მიიღო „ზღვისიქითა ტერიტორიის" სტატუსი, ხოლო 1968 — „საშინაო თვითმმართველობა". 1975 წ. 6 იელ. დეპუტატთა პალატამ ჰ. ჰ-ის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1975 წ. 31 დეკ. კომორის სახელმწიფოს პრეზიდენტად აირჩიეს ალი სუალიჰი. 1977 აპრილში დაიითხოვეს ყველა პოლიტ. პარტია და საზ. ორგანიზაცია. სახელმწიფოს მმართველობაა დაეკისრა ეროვნ. სახ საბჭოს (შეიქმნა 1976 ახ. კონსტიტუციის შესაბამისად) 1978 წ 13 მაისს სახელმწ გადატრიალების შემდეგ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სამხ.-პოლიტ დირექტორია აჰმედ აბდალაჰისა და მოჰამედ აჰმედის მეთაურობით 19978 წ. 1 ოქტ. რეფერენდუმზე მიიღეს ახ. კონსტიტუცია. 22 ოქტ აჰმედ აბდალაჰი აირჩიეს ჰ. ჰ-ის პრეზიდენტად. ქვეყანას ეწოდა „კომორის კ-ების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა. სსრკ-თან დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1976 წ. 6 იანვარს.

მოსახლ. მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება. კ. გრანდ-კომორზე იღებენ პუცოლანს, რ-საც იყენებენ გზების მშენებლობასაა და ცემენტის წარმოებაში. ამზადებენ ხე-ტყეს. 1975 ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 3 მლნ. *კვტ · სთ*. რკინიგზა არ არის. მთელი წლის განმავლობაშია სავალი საავტ. გზების სიგრძე 750 *კმ*. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტია ქ. მორონის მახლობლად, კ. გრანდ-კომორზე, სხვა კუნძულებზე არის ადგილ. მნიშვნელობის აეროპორტები. 1976 ექსპორტმა შეადგინა 2223 მლნ. აფრ. ფრანკი, იმპორტმა — 3118 მლნ. გააქვთ ეთერზეთოვნებების ესენციები, ვანილი, კოპრი, მიხაკი, დარიჩინი და სხვ შეაქვთ ბრინჯი, ხორცი, შაქარი, ქსოვილები, ნავთობპროდუქტები, ცემენტი, მახქანები და სხვ. ჰ. ჰ-ისს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან საფრანგეთი, აშშ, მადაგასკარი, გფრ, იტალია.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე მოსახლ. 90% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. არსებობდა დაწყ 6-წლიანი სკოლა, არასრული საშ. 4-წლიანი და სრული საშ. 7-წლიანი სკოლა — ლიცეუმი. ასწავლიდნენ ფრანგ. ენაზე. 1973 დაწყ. სკოლაში იყო 23,1,2 მოსწავლე, საშ. სკოლაში — 3,2 ათ დამმოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ყველა ფრანგმა მასწავლებელმა დატოვა ჰ.ჰ. ჰ , სწავლება შეწყდა. 1976 არასრულ სსკოლებში მეცადინეობა განახლდა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ მასწავლებლებთა მეშვეობით. ამჟამად მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლობს ტრად. არაბულ ყურანის სკოლებში. უმაღლესი სასწავლებლები არ არის.

კომოცციო, იხ. *ტვინის შერყევა*.

კომპანნია (ფრანგ. compagnie), 1. ჯგუფი ადამიანებისა, რ-ებიც ერთად ატარებენ დროს. 2. 2. კაპიტალ. ქვეყნებში: სავაჭრო ან სამრეწველო. ამხანაგობა.

კომპანნიონი (ფრანგ. compagnon), 1. ამხანაგი, თანამონაწილე. 2. კაპიტალ. ქვეყნებში — სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოს თანამფლობელი.

კომპანნიონი იოსებ ანტონის ძე [1 (13). IX. 1884, ქუთაისი, — 19. III. 1947, ობილისი], ქართველი სამთო მექანიკოსი, პროფესორი, საქართველოში უმაღლესი სამთო-ტტექ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1910 დაამთავრა ლეობენის სამთო აკადემია (ავსტრია), 1914 კი—პეტერბ. პოლიტექ. ინ-ტის მეტალ. ფაკ-ტი. 1918 დაბრუნდა საქართველოში; მუშაობდა დას. საქართვ. მრეწვ. ინსპექტორად, ჭიათურის მანგანუმის საბადოებზე, შემდეგ კი — თბილისში, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში; პარალელურად მოღვაწეობდა კავკ. მინერ. ნედლეულის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ხელმძღვანელობდა გეოლ. საძიებო ექსპედიციებს. დიდი ღვაწლი მიუძღვის ლოპოტის მარმარილოს საბადოს ძიებისა და მისი საექსპლუატაციოდ მომზადების საქმეში. 1928-იდან მოღვაწეობდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში. ჰ-მა პირველმა მეცნიერულად დაასაბუთა ბაგირგზების განვითარების აუცილებლობა საქართვ. მთაგორიანი რ-ნებისათვის; თეორიულად გამოიკვლია ბაგირების გაანგარიშების საკითხები. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კ. ბარამიძე.

კომპარატივიზმი ლიტერატურათმცოდნეობაში, იხ. *შედარებით-ისტორიული მეთოდი ლიტერატურათმცოდნეობაში*.

კომპარატივისტიკა (<ლათ. comparativus — შედარებითი), ისტორიული ენათმეცნიერების ნაწილი, რ-იც მონათესავე ენებს შეისწავლის შედარებითი მეთოდით.

კომპარატორი (ლათ. comparator<comparo — ვადარებ), საზომი ხელსაწყო, რ-ის დანიშნულებაა გასაზომი სიდიდის შედარება ეტალონურთან. ჰ. არის ოპტ. ელექტრული, პნევმ., ინტერფერენციული და სხვ., იყენებენ წირითი ზომების შესამოწმებლად (*მმ*-ის ნაწილებიდან რამდენიმე ათეული *მ*-მდე), გამომსხივარი სისტემების ელექტრომაგნ. ველის დაძაბულობის გასაზომად, შეფერილი ხსნარების ფერთა შესადარებლად და სხვ.; კარტოგრაფიულ სამუშაოებში იყენებენ სტერეოკომპარატორებს, რ-თა საშუალებით საზღვრავენ სავნების სივრცულ ზომებს. ასტრონომიაში სტერეოკომპარატორების მეშვეობით სწავლობენ ციური ობიექტების მდგომარეობის ცვლილებას.

კომპასი (გერმ. Kompass, იტალ compasso<compassare—ნაბიჯებით გაზომვა), გარემოში ორიენტირებისათვის განკუთვნილი ხელსაწყო. მუშაობის პრინციპის მიხედვით არსებობს მაგნიტური ჰ., ასტრონომიული ჰ., *გიროკომპასი, რადიოკომპასი*. მაგნიტური ჰ-ის მუშაობა ემყარება მაგნ. ისრის თვისებას მიიღოს მაგნ. მერიდიანის მიმართულება დედამიწის მაგნ. ველთან ურთიერთქმედების შედეგად. მაგნ. ჰ. უძველესი და ძალზე გაბერცელებული ხელსაწყოა. ჩრდ.—სამხრ. მიმართულების განსასაზღვრავად მუდმივ მაგნიტს ჯერ კიდევ 2 ათ. წლის წინათ იყენებდნენ ჩინეთში. ევროპაში ჰ. XII ს-ში შემოვიდა. გაუმჯობესებული მაგნ. ჰ. საზღვაო ნავიგაციის ძირითადი ხელსაწყოა. თანამედროვე გემის ჰ-ის სიზუსტე შუა განედებსა და წყნარ ზღვაში 0,3—0,5°-ის ტოლია. მაგნ. და გეოგრ. მერიდიანების შეუთავსებლობის გამო მაგნიტური ჰ-ის ჩვენებაში ჩვეულებრივ აუცილებელია შესწორების შეტანა. დედამიწის პოლუსების მახლობლად და დიდი მაგნ. ანომალიების არეებში მაგნ. ჰ. გამოუსადეგარია.

ასტრონომიულ ჰ-ში პელენგატორი გამუდმებით უთვალთვალებს რომელიმე მნათობს (მაგ., მზეს), ამიტომ, თუ ვიცით ჩვენი დგომის წერტილის გეოგრ. კოორდინატები, შეგვიძლია განვსაზღვროთ გეოგრ. მერიდიანის მიმართულებაც.

კომპასი (ლათ. Pyxis), ცის სამხრ ნახევარსფეროს *თანავარსკვლავედი*. მასში ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი α კომპასისა 3,7 ვიზუალური *ვარსკვლავიერი სიდიდისაა*. დაკვირვების საუკეთესო პირობებია იანვ.-თებ-ში. ჩანს სსრკ სამხრ. რ-ნებიდან, კერძოდ, საქართველოდანაც.

კომპაქტი (ლათ. compactus — მკვრივი), კომპაქტური მეტრიკული სივრცე, კერძოდ, ნებისმიერი განზომილების ევკლიდური სივრცის თავის თავის ჩიმართ კომპაქტური სიმრავლე (იხ. *კომპაქტურობა*).

კომპაქტურობა (მათ.), *ტოპოლოგიის* მნიშვნელოვანი ცნება; სიმრავლეს ეწოდება კომპაქტური, თუ მის ელემენტთა ნებისმიერ უსასრულო მიმდევრობას ერთი ზღვრული წერტილი მაინც აქვს. მოცეული სივრცის მიმართ ჰ-საგან განასხვავებენ ჰ-ს თავის თავის მიმართ; სიმრავლე, რ-იც რომელიმე ტოპოლოგიურ სივრცეშია ან თვითონ წარმოადგენს ტოპოლოგიურ სივრცეს, კომპაქტურია თავის თავის მიმართ, თუ მის ელემენტთა ნებისმიერ უსასრულო მიმდევრობას აქვს ზღვრული წერტილი, რ-იც ამავე სიმრავლეს ეკუთვნის.

მათ. ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვაიერშტრასის პრინციპს, რ-ის თანახმად ნამდვილ რიცხვთა ნებისმიერი შემოსაზღვრული სიმრავლე კომპაქტურია.

კომპაქტურ მეტრიკულ სივრცეს უწოდებენ კომპაქტს. ნებისმიერი სასრული განზომილების ევკლიდური სივრცის ქვესიმრავლეთა შორის კომპაქტურია მხოლოდ შემოსაზღვრული სიმრავლეები, რ-თა შორის კომპაქტებია ჩაკეტილი სიმრავლეები.

მხოლოდ სასრული განზომილების კომპაქტებია ჰომეომორფული ევკლიდური სივრცეების ჩაკეტილი ქვესიმრავლეებისა.

კომპენსატორი (ლათ. compenso — ვანაზღაურებ, ვაწონასწორებ) ტექნიკაში, 1. მოწყობილობა ან შემსები, რ-ის დანიშნულებაა ნაგებობის, სისტემის, მანქანის, ხელსაწყოების მდგომარეობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის (ტემპ-რა, წნევა და სხვ.) ზემოქმედების ანაზღაურება ან გაწონასწორება. განასხვავებენ უძრავ და მოძრავ ჰ-ებს. უძრავი ჰ-ების (შუასადებები, რგოლები და სხვა დეტალები) ზომისა და ფორმის შეცვლის შედეგად შეიძლება თავიდან ავიცილოთ ნომინალური ზომებიდან გადახრა. უძრავი ჰ-ია აგრეთვე შემსები, რ-იც გამყარების შემდეგ დაყენებული დეტალების ფიქსაციას ახდენს. მოძრავი ჰ. არის მუდმივი და პერიოდული ქმედებისა. პერიოდული ქმედების ჰ. (სარეგულაციო ხრახნი, ექსცენტრიკული მილისი და ა. შ.) გადაადგილებისა და მობრუნებისას ასწორებს ზომათა გადახრებს (ნახ. 1). უწყვეტი ქმედების ჰ. (მაგ., ლილვების არათანაღერძულობის საკომპენსაციო ორმაგი სახსარი, მილგაყვანილობის წაგრძელების საკომპენსაციო სილფონი; ნახ. 2) მუშაობს ავტომატურად. ელექტროტექნიკაში ჰ. აუმჯობესებს cos φ-ს და ელექტრულ წრედებში ძაბვას არეგულირებს. ჰ-ის გამოყენება აუცილებელია არათანღერძული ლილვების მუშაობისათვის, საყრდენებსა და კბილანურ შეერთებაში საჭირო ღრეჩოს შესანარჩუნებლად, შეერთებებში ფოლხვის ასაცილებლად და სხვ. ჰ-ის გამოყენება ხელს უწყობს დეტალების ურთიერთშენაცვლებადობის ფართოდ დანერგვას, ამაღლებს მანქანების ხანგამძლეობას და სხვ. ჰ. აიოლებს მასობრივი წარმოების პროცესს, აწყობისას ამცირებს დეტალთა ინდივიდ. მორგებათა რაოდენობას და საწარმოოსაექსპლუატაციო ხარჯებს. 2. თერმომაგნ. რკინა-ნახშირბადიანი შენადნობი, რ-იც შეიცავს 38%Ni, 14%Cr, იყენებენ სხვადასხვა ელექტროსაზომ ხელსაწყოებში მუდმივი მაგნიტების შუნტებად ტემპ-რული ცთომილების შემცირების მიზნით.

კომპენსატორი ავტომატური, ავტომატური საზომი მოწყობილობა, რ-ის მუშაობის პრინციპი ემყარება გაზომვის კომპენსაციურ მეთოდს. იყენებენ ემძ-ის, ძაბვის, დენის, წინაღობის, ტემპ-რისა და სხვ. გასაზომად. გაზომვის კომპენსაციურ მეთოდს საფუძვლად უდევს გადამწოდის

კომპასის კუნძულები

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები

საექსპორტო კულტურები (საშუალო წლიური წარმოება, ტონა, 1976)

ეთერზეთოვნები (I ადგილი მსოფლიოში)	100
ვანილი (II ადგილი მსოფლიოში)	160-200
მიხაკი (III ადგილი მსოფლიოში)	880
კოპრი	2,3 ათ, ტ.

ადგილობრივი მოხმარების კულტურები (ათასი ტონა, 1976)

ბრინჯი	15
სიმინდი	4
მანიოკა	82

მეცხოველეობა (ათასი სული, 1976)

მსხვილი რქოსანი საქონელი	74
თხა	61
ცხვარი	6



კომპასი. გემის მაგნიტური კომპასის საერთო ხედი



კომპენსატორი. ნახ. 1. სარეგულაციო ხრახნით იმ გადახრების კომპენსაცია, რომლებიც ცვლიან ზამბარის ძალვას. 1 — ზამბარა; 2 — კორპუსი; 3 — სარეგულაციო ხრახნი; 4 — წინაღქანნი.



კომპენსატორი. ნახ 2. სილფონური კომპენსატორი: 1 — სილფონი; 2 — მილტუჩი; 3 — სვლის შემზღუდველი



ავტომატური კომპენსატორის პრინციპული სქემა: ა — მიმყოლძრავიანი, ბ — კომპენსაციური მაძლიერებლითური. x — გასაზომი სიდიდე; ა — გადამწოდი, Ex — გარდაქმნილი ემძ, მ — მაძლიერებელი, ΔE — განთანხმების სიგნალი, ემ — ელექტროძრავა, მო — მაწონასწორებელი ორგანო; G — გალვანომეტრი; Eკ — კომპენსაციის ემძ; R — წინაღობა; I — დენი.

ემძ-ის გაწონასწორება (კომპენსაცია) ცნობილი ძაბვის ვარდნის იმ სიდიდის მიხედვით, რ-იც მოდის შესაბამისად დაკალიბრებული მავთულის (რეოქორდის) გარკვეულ უბანზე. იმის გამო, რომ ემძ იმ მომენტში იზომება, როცა გადამწოდის წრედში დენის სიდიდე ნულის ტოლია, გადამწოდისა და შემავრთებელი მავთულების წინაღობა გაზომვის შედეგზე არ მოქმედებს და Კ. გაზომვის მაღალ სიზუსტეს უზრუნველყოფს (ცდომილება არ აღემატება 0,5%-ს). Კ. არის მიმყოლძრავიანი და კომპენსაციური მაძლიერებლითურთ (იხ. ნახ.).

ა. ლოსაბერიძე.

კომპენსატორი სინქრონული, აქტიური დატვირთვის გარეშე მომუშავე სინქრონული ელექტროძრავა, რ-ის დანიშნულებაა სიმძლავრის კოეფიციენტის (cos φ) გაუმჯობესება და ელექტროგადაცემის ხაზებსა და ელექტრულ ქსელებში ძაბვის რეგულირების უზრუნველყოფა. ელექტრული ქსლის დატვირთვის სიდიდისა და ხასიათის (ინდუქციური და ტევადობითი) ცვლილების შესაბამისად იცვლება ძაბვა მომხმარებელთან (ელექტროგადაცემის ხაზის მიმღებ ბოლოებზე). თუ ელექტრული ქსლის დატვირთვა დიდი და ინდუქციურია, ქსელში ჩართავენ გადამეტაგზნებული რეჟიმით მომუშავე Კ-ს, რ-იც ეკვივალენტურია ქსელში ჩასართავი ტევადობითი დატვირთვისა. დიდი სიგრძის ხაზით ელექტროენერგიის გადაცემისას (მცირე დატვირთვის შემთხვევაში) ქსელში ტევადობითი დენის საკომპენსაციოდ ხაზში ჩართავენ უკმარაგზნებული რეჟიმით მომუშავე Კ-ს. ძაბვის მუდმივობას ხაზში უზრუნველყოფს აგზნების დენის რეგულირება რეგულატორის ძაბვის მიხედვით. Კ-ის ამუშავების დენის ძალა მისი ნომინალური მნიშვნელობის 30—100% შეადგენს. Კ-ს ამზადებენ 100 *კვა*-მდე და მეტი სიმძლავრისას. მძლავრ Კ-ს აქვს წყალბადით ან წყლით გაგრილების სისტემა. Კ-ს უმთავრესად აყენებენ ელექტრულ ქვესადგურებში.

კომპენსაცია (ლათ. compensatio), ანაზღაურება, სამოქალაქო სამართალში — ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი ხერხი, შეგებებული მოთხოვნის გაქვითვის გზით. საბჭ. შრომის სამართალში Კ. გამოხატავს მუშაკის მიერ მისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურებას., მაგ , სამსახურებრივ მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდა (ბინის ქირა და სხვ.); ტერიტორიულად სხვა ადგილას სამუშაოდ წასვლის გამო მუშაკის და მისი ოჯახის წევრების მგზავრობის და ქონების გადაზიდვის ღირებულების, სადღეღამისო ხარჯების ანაზღაურება და ერთდროული დახმარების მიცემა; მუშაკთა მიერ საწარმოო საჭიროებისათვის გამოყენებული საკუთარი ხელსაწყოს გაცვეთის (ამორტიზაციის) გამო საზღაურის გაცემა და სხვ. (იხ. საქ. სსრ შრომის კანონთა კოდ., მმ. 63, 115, 116, 117).

კომპენსაცია ფსიქოლოგიაში, ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური პროცესების დარღვეული წონასწორობის აღდგენა საპირისპირდ მიმართული რეაქციის ან იმპულსის წარმოქმნის გზით. ამ ზოგადი გაგებით Კ-ის ცნებას ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფსიქ. პროცესისა და ფუნქციის მიმართ. განსაკუთრებით განვითარდა Კ-ის ცნება სიღრმის ფსიქოლ. სხვადასხვა მიმდინარეობაში. მაგ , ა. ადლერის (ავსტრია) ინდივიდ. ფსიქოლოგიაში Კ-ს მიიჩნევენ ძირითად ფაქტორად ხასიათის ფორმირებისა და ქცევის განსაზღვრული მიმართულების გამომუშავებაში. ადლერის აზრით Კ. არის ადამიანისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნაკლოვანების დაძლევა ხასიათისა და ქცევის თავისებურებათა საპირისპირო ნიშნების განვითარებით. (მაგ., გაუბედაობა შეიძლება კომპენსირებულ იქნეს ზედმეტად თვითდაჯერებულობის განვითარებით). კ. იუნგი Კ-ს განიხილავს როგორც ფსიქიკის თვითრეგულაციის პრინციპს, რ-იც აწონასწორებს ცნობიერ და არაცნობიერ ტენდენციებს.

გ. მჭედლიშვილი.

კომპენსაციური დინება, წყლის მასების ჰორიზონტალური გადაადგილება, რ-იც ანაზღაურებს წყლის დანაკლისს ოკეანის, ზღვის, ტბის ამა თუ იმ უბანზე. Კ. დ. ჩნდება როგორც ზედაპირულ, ასევე სიღრმულ ფენებში. Კ. დ-ის მაგალითია წყნარი, ატლანტისა და ინდ. ოკეანის *პასატთმორისი უკუდინებები.*

კომპეტენცია (ლათ. competentia), რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილება — უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა. Კ. დადგენილია კანონით, მოცემული ორგანოს წესდებით ან სხვა დებულებებით. სასამართლო ორგანოთა Კ-ს ჩვეულებრივ განსაზღვრავს კანონი. სსრკ-ში სასამართლო ორგანოთა Კ-ს განსაზღვრავს სსრკ-ის, მოკავშირე და ავტონ. რესპ. კონსტიტუციები, საერთოსაკავშ. და რესპ. კანონები სასამართლო წყობილების შესახებ, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლისა და სამოქალაქო სამართ. საპროცესო კოდექსები და სხვა სამართლებრივი აქტები.

კომპიენის დაზავება 1918, ხელი მოაწერეს 11 ნოემბერს კომპიენის ტყეში (Compiègne), სადგ. რეტონდის (საფრანგეთი) ახლოს ერთი მხრივ, გერმანიამ და მეორე მხრივ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და ანტიგერმ. ბლოკის სხვა სახელმწიფოებმა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საომარი მოქმედების შეწყვეტას, დას-ში ოკუპირებული ტერიტორიიდან გერმ. ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას, გერმანიის მიერ სახმელეთო და საზღვ. შეიარაღების ნაწილის ჩაბარებას. გერმ. ჯარების მიერ რაინის მარცხ. ნაპირის დატოვებას და მის მარჯვ. ნაპირზე დემილიტარიზებული ზონის შექმნას. ამასთან ერთად Კ. დ. არ ითვალისწინებდა გერმ. ჯარების გამოყვანას ოკუპირებული საბჭ. ტერიტორიიდან. გერმ. არმიის ნაწილს ტოვებდნენ საბჭ. რუსეთსა და გერმანიაში რევ. მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეთანხმება ითვალისწინებდა ანტანტის სამხ. და საავაჭრო ფლოტის „ბალტიკაში თავისუფალ შესვლასა და გამოსვლას“ Კ. დ. წარმოადგენდა *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* (1919) წინაპირობას.

ლიტ.: История дипломатии, т. 2, М.— Л., 1945, с. 373.

გ. კილურაძე.

კომპიენის დაზავება 1940, ფაშისტურ გერმანიასა და საფრანგეთის ა. პეტენის კაპიტულანტურ მთავრობას შორის 22 ივნ. იმავე სალონ-ვაგონში დადებული ზავი, სადაც ხელმოწერილ იქნა *კომპიენის დაზავება 1918.* პეტენის მთავრობა დათანხმდა Წინააღმდეგობის მთლიანად შეწყვეტაზე, საფრ. დანაწილებასა და ტერიტ. 2/3-ის (პარიზის ჩათვლით) გერმ. ჯარების მიერ ოკუპაციაზე, განიარაღებაზე, საფრ. არმიისა და ფლოტის დემობილიზაციაზე გარდა იმ ნაწილებისა, რ-ებიც „აუცილებელი იყო წესრიგის დასაცავად“, გერმ.-ფაშისტური სარდლობისათვის შეიარაღების ჩაბარებაზე, გერმ. საოკუპაციო ჯარების შესანახი ხარჯების ანაზღაურებაზე და სხვ. 1944 საფრ. განთავისუფლების შემდეგ Კ. დ-მ ავტომატურად შეწყვიტა მოქმედება.

კომპილაცია (ლათ. compilatio — სიტყვასიტყვით — ქურდობა, ძარცვა), 1. ლიტერატურული ნაშრომი (სამეცნ. ან სასწავლო), რ-იც შედგება სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალისაგან და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს. 2. ასეთი ნაშრომის შედგენა (ამ მნიშვნელობით იხმარება კომპილირებაც).

კომპიუტერი (ინგლ. computer <ლათ. computo — ვთვლი, ვანგარიშობ), უცხოურ (უმთავრესად ინგლისურენოვან) ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი; აღნიშნავს მოწყობილობას, რ-იც ავტომატურად მუშაობს წინასწარ შედგენილი პროგრამით ან ბრძანებათა თანამიმდევრობით; იყენებენ მათ. და ეკონ.-სტატ. დაგეგმვისა და წარმოების მართვის ამოცანათა გადასაწყვეტად. Კ-ს აიგივებენ *ელექტრონულ გამომთვლელ მანქანასთან.*

კომპლანარული ვექტორები [ლათ. com(cum)—ერთობლივად და planum—სიბრტყე], ერთი სიბრტყის პარალელური ვექტორები. იხ. *ვექტორული აღრიცხვა.*

კომპლემენტარობა მოლეკულურ ბიოლოგიაში, შესაბამისობა, რ-იც უზრუნველყოფს ურთიერთშემავსები სტრუქტურების (მაკრომოლეკულების, მოლეკულების, რადიკალების) კავშირს და მათი ქიმიური თვისებებითაა გაპირობებული. ჯ. უოტსონის თანახმად, Კ. შესაძლოა მაშინ, თუ მოლეკულთა ზედაპირებს კომპლემენტარული სტრუქტურა აქვთ, ე. ი. ურთიერთმოქმედი მოლეკულები ისე შეესაბამება ერთმანეთს, როგორც გასაღები კლიტეს. ნუკლეინის მჟავების Კ. მათში შემავალი აზოტური ფუძეების ურთიერთმოქმედებითაა გაპირობებული — წყალბადური ბმები ამ მჟავათა ჯაჭვების აზოტურ ფუძეთა შორის მხოლოდ მაშინ ჩნდება, თუ ფუძეები კომპლემენტარულია. როგორც ჩანს, Კ. გენეტ. ინფორმაციის მატრიცული შენახვისა და გადაცემის ერთადერთი და უნივერს. მექანიზმია (იხ. აგრეთვე *ცილები, დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა, რედუპლიკაცია, ტრანსკრიფცია*). Კ-ის მაგალითია აგრეთვე ფერმენტის ურთიერთმოქმედება შესაბამის სუბსტრატთან, იმუნოლოგიაში კი — *ანტიგენისა* და შესაბამისი *ანტისხეულის* შესაბამისობა.

კომპლემენტაცია გენეტიკაში, იხ. *გენების ურთიერთმოქმედება.*

კომპლექსი (ლათ. complexus — კავშირი, შეხამება), ერთ მთლიანობად წარმოდგენილ საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.

კომპლექსი (მათ.), *კომბინატორული ტოპოლოგიის* ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ტოპოლოგიისათვის არსებითია გეომ. ფიგურების წარმოდგენა უფრო ელემენტარულ ფიგურებად დაშლის საშუალებით. ყველაზე მარტივია გეომ. ფიგურების შედგენა *სიმპლექსებისაგან*, ე. ი. სამგანზომილებიანი სივრცის შემთხვევაში — წერტილებისაგან, მონაკვეთებისაგან, სამკუთხედებისა და ტეტრაედრებისაგან. ამასთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად საქმე აქვთ ე. წ. სიმპლექსურ Კ-ებთან. სიმპლექსური Კ. წარმოადგენს სასრულ სიმრავლეს იმ სიმპლექსებისა, რ-ებიც განლაგებულია რომელიმე ევკლიდურ (ან ჰილბერტის) სივრცეში და აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: ამ სიმრავლის ორ სიმპლექსს ან არა აქვს საერთო წერტილი ან ყველა საერთო წერტილთა ერთობლიობა წარმოადგენს ორივე სიმპლექსის წახნაგს.

კომპლექსი ფსიქოლოგიაში, ზოგადად — ცალკეული ფსიქიკური პროცესების განსაზღვრული გაერთიანება ერთ მთელში. უფრო ვიწრო მნიშვნელობით კ-ში იგულისხმება ერთიან აფექტთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარ ფსიქ. ელემენტთა ჯგუფი. ამ გაგებით კ. იქცა ერთ-ერთ ცენტრ. ცნებად სიღრმის ფსიქოლ. სხვადასხვა ,მიმართულებაში. ზ. ფროიდის (ავსტრია) ფსიქოანალიზის თანახმად, იგი ყალიბდება არაცნობიერის სფეროში განდევნილ მისწრაფებათა ირგვლივ, იწვევს სხვადასხვა გადახრას ადამიანის მოქმედებაში. იგი ვლინდება მცდარი მოქმედების, ნევროზის, აკვიატებული წარმოდგენების სახით. ა. ადლერის ინდივიდ. ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ე. წ არასრულფასოვნობის კ-ს — ინდივიდის მიერ ორგანული ან ფსიქ. ნაკლოვანებების განცდას. ამ კ-ის დაძლევას კომპენსაციის გზით ადლერი განიხილავს როგორც ადამიანის ფსიქ. განვითარების, მისი ხასიათის ფორმირებისა და ქცევის ძირითად ფაქტორს. *გ. მჭედლიშვილი.*

კომპლექსნაერთები, კოორდინაციული ნაერთები, ქიმ. ნაერთები, რ-თა შედგენილობა არ ემორჩილება წარმოდგენებს, რ-თა მიხედვით ქიმ. ბმა ხორციელდება გაუწყვილებელი ელექტრონების ხარჯზე კ. მიიღება მარტივი ქიმ ნაეროებისაგან, მაგ., 4KCN-ისა და $Fe(CN)_2$-ის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება $K_4[Fe(CN)_6]$.

კ-ის თეორია ჩამოაყალიბა *ა. ვერნერმა* 1893. კ-ის ბირთვი (კომპლექსი) შეიცავს ცენტრალურ ატომს—კომპლექსწარმომქმნელს (განხილულ შემთხვევაში Fe)და მასთან კოორდინაციულად დაკავშირებულ მოლეკულებს ან იონებს, რ-თაც ლიგანდებს უწოდებენ (ამ შემთხვევაში CN იონები). ცენტრ. ატომს ახასიათებს შიგა და გარე კოორდინაციული სფერო. ლიგანდების რიცხვს, რ-ებიც შედიან შიგა კოორდინაციულ სფეროში, კოორდინაციულ რიცხვს (კ. რ.) უწოდებენ. ცნობილია კ., რ-თა კოორდინაციული რიცხვის მნიშვნელობა 1-იდან 12-მდეა, უფრო ხშირად კი — 4 ან 6, მაგ., კ-ში

$[Cu(NH_3)_4]SO_4$, $K_4[Fe(CN)_6]$ ცენტრ. ატომის კ.რ. შესაბამისად ტოლია 4 და 6. კვადრ. ფრჩხილებში ჩასმულია ლიგანდებთან დაკავშირებული კომპლექსწარმომქმნელი, ხოლო ფრჩხილებს გარეთ გამოყოფილია გარე კოორდინაციული სფეროს იონები. კომპლ. იონები იჩენენ დისოციაციის უნარს.

კოორდინაციული ბმის თეორიას საფუძვლად უძევს დონორ-აქცეპტორული ბმის არსებობის შესაძლებლობა. კ-ის ქიმიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭ. მეცნიერებმა ლ. ჩუგაევმა, ი. ჩერნიაევმა და სხვ. (იხ. *ვალენტობა, კვანტური ქიმია, ქიმიური ბმა, მოლეკულური ორბიტალების მეთოდი*).

ლიტ.: Головня В. А., Федоров И. А., Основные понятия химии комплексных соединений, М., 1961.

კომპლექსური ბრიგადა, იხ. *ბრიგადა.*

კომპლექსური კარტოგრაფირება, თემატიკური კარტოგრაფირების ერთ-ერთი სახეობა, კომპლექსური გეოგრ. გამოკვლევის აუცილებელი ელემენტი. კ. კ. შეიცავს ერთმანეთთან იერარქიულად დაკავშირებული ანალიზური, შეუღლებული და სინთეზური კარტოგრაფირების სხვადასხვა სახეობას. კ. კ-ის I საფეხურზე — ანალიზური კარტოგრაფირების დროს თავს იჩენს საკვლევი მოვლენის უსასრულოდ გაღრმავების ტენდენცია, რაც საკვლევი მოვლენის ცალკეული მხარეების კონკრეტული სივრცის ამსახველი ახ. ანალიზური რუკების შექმნაში გამოიხატება. მომდევნო საფეხური — შეუღლებული კარტოგრაფირება — გულისხმობს ბუნების, მოსახლ. და მეურნ. ერთმანეთთან მიზეზობრივად დაკავშირებული მოვლენების კარტოგრაფირებას რუკათა ერთიანი სერიის ფორმით. უფრო მაღალი საფეხურის — სინთეზური კარტოგრაფირების მიზანია ანალიზური და შეუღლებული კარტოგრაფირებით გადმოცემული ცოდნის ინტეგრაცია.

კ.კ-ის საჭიროება მაშინ წარმოიქმნება, როდესაც ისეთი რთული და მრავალმხრივი მოვლენის (ან მოვლენების) კარტოგრაფირება ხდება, რ-იც ანალიზურ კარტოგრაფირებასაც მოითხოვს და სინთეზურსაც. ასეთ დროს კარტოგრაფირებული მოვლენებიდან ერთ-ერთი უსათუოდ სინთეზური კარტოგრაფირებით გამოისახება, დანარჩენი — სინთეზურით ან ანალიზურით. კ. კ-ის გამოვლინების ფორმებია: ანალიზურ, შეუღლებულ და სინთეზურ რუკათა სერიები, ფართო თემატიკური პროფილის კომპლ. რუკა, კომპლ. ატლასი, რ-ებიც დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს სამეცნ -საცნობარო, მასობრივ-საცნობარო და სასკოლო-სამხარეთმცოდნეო.

ლიტ.: ასლანიკაშვილი ა., კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968. Салищев К. А., Синтетическое картографирование, кн. Итоги науки и техники. Картография, т 6, М., 1974.

გ. ლიპარტელიანი.

კომპლექსური პროგრამა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) წევრ-ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, სრულყოფისა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისა, მიიღეს ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიაზე (1971 წ. ივლ , ბუქარესტი). XXV სესიაზე ეუს-ს წევრი-ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა და მთავრობის მეთაურებმა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე პირობების შესაბამისად განსაზღვრეს ეუს-ს წევრი-ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, სრულყოფისა და სოციალ ეკონ. ინტეგრაციის განვითარების ძირითადი ამოცანები და პრინციპები. კ. პ. გათვალისწინებულია 15—20 წლით, 1985—90 წლამდე (იხ. *ინტეგრაცია ეკონომიკური*).

ჯ. კახნიაშვილი.

კომპლექსური რიცხვი, $x+iy$ სახის რიცხვები, სადაც x და y ნამდვილი რიცხვებია, ხოლო i — ე. წ. წარმოსახვითი ერთეული (რიცხვი, რ-ის კვადრატი — 1-ის ტოლია), x-ს ეწოდება კ. რ-ის ნამდვილი ნაწილი, ხოლო y-ს — წარმოსახვითი ნაწილი (აღინიშნება სათანადოდ $x=\mathrm{Re}z$, $y=\mathrm{Im}z$ სიმბოლოებით). კ. რ-ს, რ-იც არ არის ნამდვილი ($y\neq 0$), ეწოდება წარმოსახვითი. როდესაც $x=0$, კ. რ-ს ეწოდება წმინდა წარმოსახვითი. არითმ. მოქმედებებს კ. რ-ებზე აწარმოებენ მრავალწევრებზე მოქმედების ანალოგიურად, $i^2=-1$ პირობის გათვალისწინებით. გეომეტრიულად ყოველი კ. რ. $x+iy$ გამოისახება სიბრტყის წერტილით, რ-ის მართკუთხოვანი კოორდინატებია x და y (იხ. ნახ.). თუ ამ წერტილის პოლარული კოორდინატებია φ და r, მაშინ შესაბამისი კ. რ. შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: $r(\cos\varphi+i\sin\varphi)$ (კ. რ-ის გეომ. ან პოლარული ფორმა). $r=\sqrt{x^2+y^2}=|z|$ ეწოდება $x+iy$ კ. რ-ის მოდული. ხოლო $\varphi=\arg z$—მისი არგუმენტი. კ. რ-ის ტრიგონომ. ფორმა მოსახერხებელია ხარისხში აყვანისა და ფესვის ამოღებისათვის (იხ. *მუავრის ფორმულა*).

კ. რ-ის სიმრავლე წარმოადგენს *რგოლს.* იხ. აგრეთვე *რიცხვი.*



კომპლექსური რიცხვი.

კომპლექსური სასუქი, სასუქი, რ-იც შეიცავს მცენარისათვის საჭირო 2—3 ძირითად საკვებ ნივთიერებას (N, P_2O_5, K_2O). მის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მიკროელემენტებიც (B, Mn, Cu, Zn, Mo და სხვ.). კ. ს. მიიღება მარტივი ანუ ცალმხრივი სასუქების შერევით ან ქიმ.-ტექ. გზით. კ. ს-ს ყოფენ — ორმაგ (აზოტ-ფოსფორიანი, აზოტ-კალიუმიანი, ფოსფორ-კალიუმიანი) და სამმაგ (აზოტ-ფოსფორ-კალიუმიანი) სასუქებად. წარმოების მიხედვით არის რთული, რთულ-შერეული და შერეული კ. ს. რთული კ. ს. მიიღება საწყისი კომპონენტების — ამიაკის, ფოსფორისა და აზოტმჟავას, ფოსფორიტის, აპატიტის, ბუნებრივი კალიუმის მარილებისა და სხვ. ქიმ. ურთიერთმოქმედების შედეგად. სსრკ-ში ფართოდ გავრცელებული რთული კ. ს-ებია: ამოფოსი, დიამოფოსი, ნიტროფოსი, კალიუმის გვარჯილა, ნიტროამოფოსკა, ნიტროფოსკა. პერსპექტიულია რთული თხევადი სასუქები, აგრეთვე კალიუმის მეტაფოსფატი, ამონიუმის პოლიფოსფატი და სხვ. რთულ-შერეული კ. ს-ის მისაღებად მზა სასუქებს შეურევენ ერთმანეთს და შემდეგ გადაამუშავებენ გოგირდითა და აზოტმჟავათი, ამიაკით ან ამიაკატებით. საკვებ ნივთიერებათა შემცველობა შეიძლება 58%-ს აღწევდეს. შერეული სასუქი მზა სასუქების მექან. შერევით მიიღება (ძირითადად სუპერფოსფატს ურევენ აზოტიან სასუქს და ქლორკალიუმს). ზოგიერთი სასუქის შერევა შეიძლება გამოყენებამდე რამდენიმე დღით ადრე (ამონიუმის სულფატისა და სუპერფოსფატის), ზოგს კი გამოყენების წინ ურევენ (ამონიუმის გვარჯილა და სუპერფოსფატი და სხვ) კ. ს-ის გამოყენება მიზანშეწონილია თითქმის ყველა კულტურისათვის, რთული სასუქი განსაკუთრებით კარგია ტექ. კულტურებისათვის. *ი. სარიშვილი.*

კომპოზიტი, ორი (ან მეტი) ფუძისაგან (ზოგჯერ სიტყვებისაგან) შედგენილი რთული სიტყვა კ-ებს აჯგუფებენ შინაარსის, აგებულების (ფორმის) და წარმომავლობის მიხედვით. შინაარსის მიხედვით გვაქვს განსაზღვრებითი კ-ები (მაგ., დედაქალაქი, ვზატკეცილი, გულთამხილავი) და შეერთებითი კ-ები (და-ძმა, დროდადრო), ფორმის მიხედვით განარჩევენ ძირეულ კ-ებს (ქუჩა-ქუჩა, ძველ-ძველი) და ბრუნვისნიშნიანებს (ვარდისფერი, ერთმანეთი <„ერთმან ერთი"). კ-ები წარმომავლობის მიხედვითაც ორ ძირითად ჯგუფს შეადგენს: ზოგი კ. შესიტყვებიდან მომდინარეობს (დისწული<დის წული, ნუგეში<ნუ გეშინის), ხოლო სხვები შექმნილია ენაში არსებული მზა ყალიბის მიხედვით (კუდმოკლე, დილ-დილობით).

კომპოზიტორთა კავშირი სსრ კავშირისა, საბჭ. კომპოზიტორებისა და მუსიკათმცოდნეების საზოგადოებრივ-შემოქმედებითი გაერთიანება. დაარსდა სკკ (ბ) ცკ 1932 წ. 23 აპრილის დადგენილებით „ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ". 1932—40 მისი ორგანიზაციები შეიქმნა მოსკოვში, ლენინგრადში, ზოგიერთ საოლქო ცენტრში. 1939 სსრკ სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა სსრკ კომპოზიტორთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი კომპოზიტორთა I საკავშ. ყრილობა ჩატარდა 1948. მან მიიღო წესდება და აირჩია სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობა. გამგეობის მიერ არჩეული სამდივნო ხელმძღვანელობს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითს მოღვაწეობას. II საკავშ. ყრილობა შედგა 1957, III — 1962, IV — 1968, V — 1974, VI —1979. კომპოზიტორთა კავშირის ამოცანაა კომპოზიტორთა და მუსიკათმცოდნეთა რიგების შემჭიდროება სოციალ. რეალიზმზე დაფუძნებული მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, თავისი წევრების იდეურ-პოლიტ. აღზრდა, მათი შემოქმედებითი ზრდისა და პროფ. დაოსტატების უზრუნველყოფა.

სსრკ კომპოზიტორთა კავშირში შემავალი 15 რესპ. კავშირის წევრთა საერთო

რაოდენობაა 1936 (1976 მონაცემებით). კომპოზიტორთა კავშირთან არსებობს სსრკ მუსფონდი. ბეჭდვითი ორგანოებია: ჟურნალები „Советская музыка“ და „Музыкальная жизнь“. სსრკ კომპოზიტორთა კავშირის წევრები შედიან იუნესკოსთან არსებულ მუს. საბჭოს შემადგენლობაში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1968).

კომპოზიცია (ლათ. compositio — შედგენა, შეთხზვა), 1. მხატვრული ნაწარმოების აგებულება, რ-საც განსაზღვრავს მისი შინაარსი, ხასიათი და დანიშნულება. კ. ლიტერატურაში, ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ფორმის სხვადასხვაგვარი კომპონენტების ერთობლიობა. კ-ის შემადგენელი ერთეულია ტექსტის ის მონაკვეთი, რ-ის ფარგლებში შენარჩუნებულია გამოსახვის ერთი ხერხი ან მანერა: თხრობა, აღწერა, პორტრეტი, დახასიათება, მონოლოგი, დიალოგი, ლირიკული გადახვევა და სხვ. უმარტივესი ერთეულებისაგან შედგება უფრო რთული კომპონენტები, რ-ებშიაც გადმოცემულია ავტორის ან რ-იმე გმირის თვალსაზრისი. ამგვარ კომპონენტთა ერთობლიობა ქმნის სცენას (ეპოსში, დრამაში). კომპონენტთა განლაგება ტექსტში და მათი ურთიერთკავშირი არის სწორედ კ., ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, ლიტ. ნაწარმოების არქიტექტონიკა. გარდა ამისა, გამოყოფენ ხასიათების კ-ს (ხასიათის გამოკვეთის მანერა), არასიუჟეტური ელემენტების კ-ს (ლირიკული გადახვევა, ჩანართი, ცალკეული თავების ეპიგრაფები), დეტალების კ-ს, სახეების კ-ს (კ. როგორც „სახეთა სისტემა“). კ-ის ხერხები და საშუალებანი ძალზე მრავალფეროვანია. მის უმნიშვნელოვანეს ასპექტად ითვლება ის თანამიმდევრობა, რ-ითაც ტექსტში შეგვაქვს გამოსახვის კომპონენტები. კ. ნეიტრალურია ნაწარმოების თემისა და იდეის მიმართ, ხოლო ჟანრი (გვარი) კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნაწარმოების კ-ს. მაგ., უაღრესად თავისებურია ლექსის, განსაკუთრებით ლირ. ლექსის კ.: მოიცავს როგორც მხატვრულ სახეთა სისტემას, ისევე ლექსის რიტმულ და ბგერით ინტონაციურ ორგანიზაციას.

პლასტიკურ ხელოვნებაში კ. აერთიანებს მხატვრული ფორმის აგების ცალკეულ მომენტებს (სივრცისა და მოცულობის რეალური ან ილუზიური ფორმირება, სიმეტრია და ასიმეტრია, მასშტაბი, რიტმი და პროპორცია, ნიუანსი და კონტრასტი, პერსპექტივა, დაჯგუფება; ფერადოვანი გადაწყვეტა და სხვ.). კ. ორგანიზაციას უკეთებს ნაწარმოების შინაგან აგებულებას და მის დამოკიდებულებას გარემოსთან, მაყურებელთან. არქიტექტურაში კ-ს საფუძველად უდევს ნაგებობის ან ნაგებობათა კომპლექსის იდეურ-მხატვრული პრინციპის, ფუნქციური დანიშნულების, კონსტრ. თავისებურებებისა და საქალაქთმშენებლო როლის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება. კ. განსაზღვრავს ცალკეული შენობის, არქიტ. ანსამბლის ან ქალაქის სახეს, მის გეგმარებით და მოცულობით-სივრცობლივ აგებულებას. ხელოვნებაში კ. წარმოადგენს ნაწარმოების იდეური და სიუჟეტური თემატიკური საფუძვლის კონკრ. დამუშავებას. სივრცეში საგნებისა და ფიგურების განაწილების, მოცულობების, ჩრდილ-ნათელის, ფერადოვანი ლაქების და სხვ. თანაფარდობის დადგენის მიხედვით არსებობს კ-ის შემდეგი სახეები: მდგრადი (ძირითადი კომპოზ. ღერძები გადაიკვეთება ნაწარმოების გეომ. ცენტრში და სწორ კუთხეში), დინამ. (ძირითადი კომპოზ. ღერძები გადაიკვეთება მახვილ კუთხეში და ბატონობენ დიაგონალები, ოვალები და წრეები), გახსნილი (ჭარბობს ცენტრიდანული გაფანტული ძალები), ჩაკეტილი (ჭარბობს ცენტრისკენული ძალები და ყურადღება გამახვილებულია გამოსახულების ცენტრზე). მდგრადი და ჩაკეტილი ტიპის კ., ახასიათებს, მაგ. აღორძინების ხელოვნებას, ხოლო დინამ. და გახსნილი — ბაროკოს ხელოვნებას. XIX—XX სს-ში თავისუფალი კ-კენ სწრაფვა პასუხობდა მხატვართა შემოქმედებითს თავისებურებებს.

კ. მუსიკაში, მუს. ნაწარმოების სტრუქტურა, იხ. *მუსიკალური ფორმა*.

2. მუს., ფერწერული, სკულპტურული ან გრაფიკული ნაწარმოებები, კომპოზიტორის ან მხატვრის შემოქმედებითი შრომის საბოლოო შედეგი.

3. ხელოვნ. სხვადასხვა დარგის მომცველი რთული მხატვრული ნაწარმოებები (მაგ. ლიტ.-მუს. კ.).

4. მუს. თხზულება. მუს. სასწ. დაწესებულებებში (სასწავლებლები, კონსერვატორიები) შეისწავლება როგორც განსაკუთრებული საგანი (საბჭ. მუს. სასწავლებლებში ეწოდება თხზულება). მისი სწავლება მჭიდროდ უკავშირდება ისეთ მუს.-თეორ. ხასიათის დისციპლინებს, როგორიცაა ჰარმონია, პოლიფონია, ინსტრუმენტობა, მუს. ნაწარმოების ანალიზი.

კომპოზიცია (ლათ. compositio — მოწესრიგება) სამართლის ისტორიაში, ქონებრივი საზღაური სისხლის სამართალდარღვევისათვის. ცნობილია გვაროვნ. საზ-ბის დაშლის დროიდან, შეცვალა *სისხლის აღება*. დაკანონებული იყო მონათმფლობელურ და ფეოდ. სამართ. ძეგლებში — *ხამურაბის კანონებში, ბარბაროსთა სამართლის წიგნებში* (იხ. აგრეთვე *ვერგელდი*) და სხვ. კ-ის ოდენობა განისაზღვრებოდა დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის წოდებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით. საზღაური ეძლეოდა დაზარალებულ მხარეს, აგრეთვე ხელისუფლების წარმომადგენელს (მაგ., სალიკური სამართ. ფრეტუსი, *ვირა* ძვ. რუს. სამართალში).

კ. ანუ „სისხლის დაურვება“ ფართოდ იყო გავრცელებული ძვ. ქართ. სამართალში. იგი დაკანონებულია გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუღას, ბაგრატ კურაპალატის და ვახტანგ VI-ის სამართ. წიგნებით. პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულის საზღაურის ზოგადი სახელი იყო „*სისხლი*“. ქურდი იხდიდა შვიდეკეც საზღაურს — შვიდეულს. კ-ის ნაწილი ხელისუფლების წარმომადგენელს ეკუთვნოდა მაგ., ნაპარავის საზღაურის ერთ ასეთ ნაწილს „კერძი საერისთავო ჲ“ ერქვა, დასტურლამალით განსაზღვრულია მოურავის და ნაცვლის წილი ჯარიმა სხეულის დაზიანების შემთხვევაში.

ლიტ.: ეაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1946, გვ. 25—67. *ი. ფუტკარაძე.*

კომპოზიცია საჭადრაკო, საჭადრაკო შემოქმედების დარგი. კ. სათავეს იღებს IX ს. საჭადრაკო ამოცანიდან (მანუსიბი). არსებობს კ-ის 2 სახეობა: ამოცანა და ეტიუდი. იდეის ხორცშესასხმელად კ-ს მოეთხოვება ეკონომიურობა (ე. ი. ფიგურების მინ. რაოდენობა), ერთადერთი ამოხსნა, გამოკვეთილი იდეა. ამოცანები ორ ჯგუფად იყოფა: შამათზე თამაშით — 2, 3, 4 და მრავალსვლიანი ამოცანები, და შეცვლილი მიზნის ამოცანები — უკუშამათი, ნადიშამათი და სხვ. ეტიუდი წარმოიშვა XIX ს-ში. არსებობს მოსაგები და საყაიმო ეტიუდები, შინაარსის მიხედვით — ანალიტიკური (საჭადრაკო პარტიის ბოლოს — ენდშპილს ჰგავს) და კომბინაციური. კ-ში ტარდება სსრკ პირადი პირველობა (1929, სისტემატურად— 1947-იდან) და გუნდური პირველობა (1956-იდან). 1956-იდან ჭადრაკის საერთაშ. ფედერაციასთან (ფიდე) არსებობს კ-ის საერთაშ. კომისია, რ-იც განიხილავს კ-ის თეორიასა და მსაჯობის საკითხებს, აწყობს კონკურსებს, ანიჭებს კ-ში საერთაშ. დიდოსტატის, ოსტატისა და არბიტრის წოდებებს, გამოსცემს საჭადრაკო კომპოზიციის კრებულებს („ფიდეს ალბომი“).

საქართველოში კ. პოპულარული გახდა XX ს. 20-იანი წლებიდან. ტარდება საქართვ. პირველობა. საქართველოში პირველი საკავშ (1950) და საერთაშ.-(1961) კონკურსები მოაწყო გაზ. „ლელომ“, აგრეთვე გაზეთებმა „კომუნისტმა“, „ზარია ვოსტოკამ“, „სოფლის ცხოვრებამ“, „ახალგაზრდა კომუნისტმა“, „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ და სხვ. საერთაშ. დიდოსტატის წოდება აქვს გ. ნადარეიშვილს, საერთაშ. ოსტატისა—ი. კრიხელს. ცნობილი კომპოზიტორები არიან აგრეთვე ა. დობორჯგინიძე, ვ. კალანდაძე, ო. ტაბიძე, დ. გურგენიძე, რ. თავარიანი, ვ. ნეიძე, ჯ. მახათაძე და სხვ. *თ. გიორგაძე.*

კომპოზიციური მასალა, *საკონსტრუქციო მასალა*, განსაკუთრებული კლასი ლითონური ან არალითონური მასალისა, რ-ის მატრიცაში (ფუძეში) განსაზღვრული წესით წინასწარ არის განლაგებული განმამტკიცებლები (ბოჭკოები, დისპერსიული ნაწილაკები, ძაფისებრი კრისტალები და სხვ.). კომპონენტების ასეთი შეერთება საშუალებას იძლევა ეფექტურად გამოვიყენოთ მათი ინდივიდ. მახასიათებლები და მივიღოთ ისეთი მასალა, რ-საც ექნება საჭირველი ფიზ.-მექან. თვისებები. სტრუქტურის ხასიათისა და განმამტკიცებელის ტიპის მიხედვით კ. მ. სხვადასხვა სახეობისაა: ბოჭკოვანი მასალა, რ-იც განმტკიცებულია უწყვეტი ბოჭკოებითა და ძაფისებრი კრისტალებით, და დისპერსიულად განმტკიცებული მასალა, რ-საც ღებულობენ ლითონურ მატრიცაში დისპერსიული ნაწილაკების შეტანით; ფენოვანი მასალა, რ-იც ლითონთა დაწნეხით ან გლინვით მიიღება. კ. მ-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე ევტექტიკური სტრუქტურის მიმართული კრისტალიზაციის შენადნობებს. კომპონენტების მოცულობითი თანაფარდობის შეცვლით შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა დანიშნულების მასალა, რ-საც ექნება საჭირო სიმტკიცე, მხურვალმტკიცობა, დრეკადობის მოდული, აბრაზიული მედეგობა. შესაძლებელია აგრეთვე მაგნ., დიელექტრიკული, რადიოშთამნთქმელი და სხვ. სპეც. თვისებების მქონე კომპოზიციების მიღება. ბოჭკოვანი კ. მ., რ-იც მიიღება მატრიცის ძაფისებრი კრისტალებით ან ძნელდნობადი ელემენტებითა და შენაერთებით (SiO, Al_2O_3, SiC, B, W, C და სხვ.), არმირების შედეგად თავისი ფიზ.-მექან. თვისებებით მასალათა ახ. კლასს წარმოადგენს. კ. მ-ის წინამორბედია ფართოდ ცნობილი რკინაბეტონი. იგი შედგება ბეტონის მატრიცისა (მუშაობს კუმშვაზე) და ფოლადის არმატურისაგან (მუშაობს გაჭიმვაზე). ტექნიკაში ფართოდ იყენებენ მაღალი სიმტკიცისა და მაღალმოდულიანი უწყვეტი ბოჭკოებით არმირებულ კ. მ-ს, რ-საც ძირითად დატვირთვას მაარმირებელი ელემენტები განიცდის. ბოჭკოვანი კ. მ. ანიზოტროპული მასალაა. მის მექან. თვისებებს ბოჭკოების თავისებურების გარდა განსაზღვრავს მისი ორიენტაცია, მოცულობითი შედგენილობა, მატრიცის უნარი — გადასცეს ბოჭკოებს დატვირთვა და სხვ.; მონოლითური შენადნობებისაგან განსხვავებით, კ. მ. მაღალი სიმტკიცისაა. მისი მიღების ძირითადი მეთოდებია: მაარმირებელი ბოჭკოების სამატრიცე მასალით გაჟღენთა; დახვევით მიღებული მატრიცისა და განმამტკიცებლის ლენტების ფორმირება პრესფორმაში; კომპონენტების ცივი დაწნეხა შემდგომი შეცხობით; ბოჭკოების ელექტროქიმ. დაფარვა და შემდგომი დაწნეხა; განმამტკიცებლის დაფარვა მატრიცით (პლაზმური შეფრქვევის ხერხით) და შემდგომი შემჭიდროებით; კომპონენტების ერთშრიანი ლენტების დიფუზური შეცულება; მაარმირებელი ელემენტებისა და მატრიცის ერთობლივი გლინვა და სხვა კონსტრუქციების იმ კვანძებში, რ-თათვის საჭიროა განმტკიცება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაარმირე-

ბელი ბოჭკოების მიმართულებას. მაღალი წნევის პირობებში მოშუშავე ჭურჭლების არმირებას ახდენენ ბოჭკოების განივი და გრძივი ორიენტაციით. ძნელდნობადი ნივთიერებების ბოჭკოებით მასალის არმირება მნიშვნელოვნად ზრდის მის მხურვალმედეგობას. მეტად პერსპექტიულია კერამ. და პოლიმერული მასალის ძაფისებრი კრისტალებით (რამდენიმე *მკმ* დიამეტრისა და 10—15 *მმ* სიგრძის) განმტკიცება. მუშავდება სპეც. თვისებების მქონე კ. მ., მაგ., რადიოგამჭვირვალე, რადიოშთამნთქმელი, ორბიტალური კოსმოსური საფრენი აპარატების თბოდამცავი მასალა და სხვ. Al- და Mg-ფუძიანი კ. მ-ის მექან. თვისებები ორჯერ და უფრო მეტად (500°C-მდე) აღემატება ამავე ფუძეზე დამზადებული შენადნობების მექან. თვისებებს. Co და Ni-ფუძიანი კ. მ-თვის მუშა ტემპ-რის ზღვარი გაზრდილია 1000—1200°C-მდე. ხოლო ძნელდნობადი ლითონებისა და ნაერთების ფუძიანი კ. მ-ისა—1500—2000°C-მდე.

კ. მ-ს იყენებენ საავიაციო-კოსმოსურ, რაკეტულ ტექნიკაში და ტექ. სხვა სპეც. დარგებში, აგრეთვე ტურბინმშენებლობაში, საავტ. მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, სამთო მრეწველობაში, მეტალ. მრეწველობაში, სამშენებლო ტექნიკაში, ქიმ მრეწველობაში, საფეიქრო მრეწველობაში, სას.-სამ. მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო ტექნიკაში.

ნ. ნადირაშვილი.

კომპონენტი (ლათ. componens ნათ. ბრ componentis — შემადგენელი), შემადგენელი ნაწილი, რისამე ელემენტი.

კომპონენტური ანალიზი, გამოყოფა ენობრივი ერთეულების კომპონენტებისა (შემადგენელი ნაწილებისა), რ-ებიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთი დონის ერთეულებს.

კომპოსტი (გერმ. Kompost, იტალ. composta, ლათ. compostius—შემადგენელი), სასუქი, რ-იც წარმოადგენს მიკროორგანიზმების გავლენით გახრწნილი ორგანული ნივთიერებების ნარევს. დაკომპოსტების დროს ორგ. მასაში იზრდება მცენარისათვის შესათვისებელი საკვები ელემენტების შემცველობა (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი და სხვ.), უვნებელდება პათოგენური მიკროფლორა და ჰელმინთების კვერცხები, მცირდება ცელულოზის, ჰემიცელულოზისა და პექტინური ნივთიერებების რაოდენობა, კ-ის მასა ფხვიერდება, რაც აადვილებს ნიადაგში მის შეტანას. კ. თავისი ღირსებით არ ჩამორჩება ნაკელს.

კომპრადორული ბურჟუაზია (<ესპ. comprador — მყიდველი), ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიული ნაწილი, რ-იც ახორციელებს საშუამავლო სავაჭრო ოპერაციებს უცხოეთის კომპანიებთან რეგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრებზე. კ. ბ. აღმოცენდა კოლონ. სისტემის წარმოქმნის ეპოქაში. იგი, უპირველეს ყოვლისა, ჩამოყალიბდა ეროვნ. ექსპლუატატორული ჯგუფების და კლასების (ვაჭრები, მევახშეები, ფეოდალები და სხვ.) იმ ნაწილისაგან, რ-იც უცხოეთის კაპიტალს ემორჩილებოდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად. კ ბ-თვის დამახასიათებელია უარყოფითი დამოკიდებულება ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მიმართ.

I მსოფლიო ომის შემდეგ რიგი მსხვილი კოლონ. ქვეყნების ეკონ. დამოკიდებულება მეტროპოლიებზე შესუსტდა და ადგილ. მრეწვ. ჩამოყალიბებისა და ზრდის ხარჯზე შეიქმნა ეროვნ. ბურჟ. განვითარების დაჩქარების პირობა. ამასთან დაკავშირებით დაეცა კ. ბ-ის ეკონ. როლი, ხოლო II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში ეროვნ. ბურჟ. როლის გაძლიერებამ გამოიწვია კ. ბ-ის პოლიტ. იზოლაცია. კ. ბ. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XIX ს. საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობასა და საერთოდ, კაპიტალ. მეურნეობაში.

თავისი საქმიანობით კ. ბ. მჭიდროდაა დაკავშირებული უცხ. კაპიტალთან და, ბურჟ. ნაწილისაგან განსხვავებით, ყველაზე მეტად განიცდის მის ეკონ. და პოლიტ. გავლენას (იხ. აგრეთვე სტ. *ბურჟუაზია*).

კომპრესი (ფრანგ. compresse < ლათ. compressus — მოჭერილი), სპეციალური სამკურნალო ნახვევი. განარჩევენ მშრალ, სველ, თბილ და წამლეულის კ-ს. მ შ რ ა ლ ი კ. შედგება რამდენიმე ფენა სტერილური დოლბანდისა და ჰიგროსკოპული ბამბისაგან, რ-საც ადებენ სხეულის დაავადებულ ან დაზიანებულ ნაწილს გაცივებისა და სხვ. გარე გამღიზიანებლებისაგან დასაცავად, აგრეთვე ჭრილობიდან გამონადენის ამოსასრუტად; ს ვ ე ლ ი კ. შეიძლება იყოს ცივი (*სველსაფენი*) ან ცხელი (*ცხელსაფენი*). თ ბ ი ლ ი კ. შედგება წყალში დასველებული ტილოს რამდენიმე ფენისაგან, რ-საც ზემოდან ადებენ ჯერ გასანთლულ ქაღალდს ან მუშამბას, შემდეგ თბოგაუმტარ ქსოვილს (ფლანელი ან ბამბა) და ამაგრებენ ბინტით; იხმარება ანთებითი პროცესების დროს, როგორც გამწოვი საშუალება; წამლეულის კ-თვის ტილოს დასასველებელ წყალს უმატებენ დანიშნულ წამლეულს.

კომპრესია (ლათ. compressio — კუმშვა), ძალური ზემოქმედება აირისებრ სხეულზე, რაც იწვევს აირის მიერ დაკავებული მოცულობის შემცირებას, კ. ხდება *კომპრესორში*, აგრეთვე *შიგაწვის ძრავაა* და სხვა მოწყობილობის მუშაობისას. კ-ის ნაცვლად სამამულო ლიტ-რაში ხმარობენ ტერმინს კ უ მ შ ვ ა. რ-იც ზოგადი მნიშვნელობისაა, რადგან მყარ სხეულებზეც ვრცელდება.

კომპრესორი, მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა ჰაერის ან სხვა აირის შეკუმშვა და მიწოდება წნევის ქვეშ. წნევის გადიდების ხარისხი კ-ში 3-ზე მეტია. რომელიმე დანადგარისათვის ჰაერის მისაწოდებლად, როცა მის წნევას 2—3-ჯერ ადიდებენ, იყენებენ ჰაერსაბერს, ხოლო როცა დაწნევა 10 *კპა* (1000 *მმ წყ. სვ.*)-მდეა,—*ვენტილატორს*. კ. პირველად XIX ს. შუა წლებში გამოიყენეს. რუსეთში მათ XX ს. დასაწყისიდან ამზადებენ.

ცენტრიდანული მანქანების თეორიის საფუძვლები ლ. *ეილერმა* ჩამოაყალიბა, ხოლო ღერძული კ-ებისა და ვენტილატორების თეორია შეიქმნა ნ. *ჟუკოვსკის*, ს. *ჩაპლიგინისა* და სხვა მეცნიერების შრომების საფუძველზე.

მოქმედების პრინციპისა და ძირითადი კონსტრ. თავისებურებების მიხედვით არსებობს დგუშიანი, როტაციული, ცენტრიდანული, ღერძული და ჭავლური კ-ები, რ-ებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეთვე შესაკუმში აირის (ჰაერის, ჟანგბადის და სხვ.), წარმოქმნილი წნევის — $p_н$ (დაბალი — 0,3-იდან 1 *მეგპა*-მდე, საშუალო — 10 *მეგპა*-მდე და მაღალი წნევის — 10 *მეგპა*-ზე მაღალი), მწარმოებლურობის, ე. ი. დროის ერთეულში შეწოვილი (ან შეკუმშული) აირის მოცულობისა (ჩვეულებრივ $м^3$/*წთ*-ში) და სხვა ნიშნების მიხედვით. კ-ს ახასიათებენ აგრეთვე ბრუნთა სიხშირით (n) და მოხმარებული სიმძლავრით (N).

დ გ უ შ ი ა ნ ი კ. ძირითადად შედგება მუშა ცილინდრისა და დგუშისაგან; აქვს შემწოვი და საჭირხნი სარქველები, მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმი მუხლა ლილვთან ერთად. დგუშიანი კ. არის ერთ-და მრავალცილინდრიანი (ცილინდრები სხვადასხვაგვარადაა განლაგებული), ერთმაგი და ორმაგი მოქმედებისა, აგრეთვე ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი შეკუმშვისა.

რ ო ტ ა ც ი ულ კ-ს აქვს ერთი ან სხვადასხვა კონსტრუქციის რამდენიმე როტორი. ფართოდაა გავრცელებული როტაციული ფირფიტოვანი კ.; როტაციული და დგუშიანი კ-ების მოქმედების პრინციპი ძირითადად ერთმანეთის ანალოგიურია.

ც ე ნ ტ რ ი დ ა ნ უ ლ ი კ. შედგება კორპუსისა და როტორისაგან, რ-საც აქვს სიმეტრიულად მდებარე მუშათველიანი ლილვი. ამ სახის კ-ის მნიშვნელოვანი თავისებურებაა შეკუმშული აირის წნევის, მოხმარებული სიმძლავრისა და მქკ-ის დამოკიდებულება მის მწარმოებლურობაზე. ამ დამოკიდებულების ხასიათი ყოველი მარკის კ-თვის ასახულია გრაფიკებზე, რ-ებსაც მ უ შ ა მ ახ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ს უწოდებენ.

ღ ე რ ძ უ ლ კ-ს აქვს როტორი, რ-იც შედგება მუშა ფრთების რამდენიმე რიგისაგან; იყენებენ აირტურბინული დანადგარების შედგენილობაში (იხ. *აირტურბინული ძრავა*). ამ სახის კ-ის მქკ ყველა სხვა სახის კ-ის მქკ-ზე მაღალია.

ჩამოთვლილი კ-ების ტექ. სრულყოფას აფასებენ მათი მექან. მქკ-ით.

ჭ ა ვ ლ უ რ ი კ. მოწყობილობითა და მოქმედების პრინციპით ჭავლური *ტუმბოს* ანალოგიურია. მაგრამ იგი უფრო მაღალ შეკუმშვის ხარისხს უზრუნველყოფს.

ა. კომპტონი.

კომპრესორის ძრავა, *შიგაწვის ძრავა*, უმთავრესად დიზელისა, რ-მიც ცილინდრს საწვავს აწვდის 6 *მეგპა* (60 *კგძ/სმ²*)-მდე შეკუმშული ჰაერი. კონსტრუქციის მიხედვით კ. ძ. სხვადასხვა სახეობისაა (ჯვართავა ძრავები, ტრონკული ძრავები, 2 და 4 ტაქტიანი ძრავები). პირდაპირი დინების გაქრევის კ. ძ-ს საშ. ინდიკატორული წნევა უკვამლო წვისას 0,8—0,9 *მეგპა* (8—9 *კგძ/სმ²*) აღწევს. კ. ძ-ს სიმძლავრეა დაახლ. 2,2—3,7 *მეგვტ* (3000—5000 *ცხ. ძ.*), ბრუნვის სიხშირე—180—500 *ბრ/წთ*. დიდი მასისა და დიდი გაბარიტების, აგრეთვე რეგულირების სირთულის გამო კ. ძ-ს ტრანსპორტში (კემბეს გარდა) არ იყენებენ.

კომპრომეტაცია (<ფრანგ. compromettre), ისეთი ცნობების გამჟღავნება, რ-ებიც არყევენ ვინმეს ავტორიტეტს, სახელს უტეხენ მას, იწვევენ მისდამი უნდობლობას.

კომპტონი (Compton) ართურ ჰოლი (10. IX. 1892, ეუსტერი, ოჰაიო,—15. III. 1962, ბერკლი), ამერიკელი ფიზიკოსი, აშშ-ის ნაციონალური მეცნ. აკად. წევრი, დაამთავრა პრინსტონის უნ-ტი (1914). 1920—23 ვაშინგტონის უნ-ტის პროფესორი სენტ-ლუისში. 1923—45 ჩიკაგოს უნ-ტის პროფესორი. 1945—53 ვაშინგტონის უნ-ტის რექტორი, 1954-იდან საპატიო პროფესორი 1922 აღმოაჩინა *კომპტონის ეფექტი* (ნობელის პრემია, 1927). მინისა და ლითონის სარკული ზედაპირიდან რენტგენის სხივების სრული შინაგანი არეკვლის მოვლენა და სხვ. 1941—45 მონაწილეობდა ატომური ბომბის შექმნაში.



კომპტონის ეფექტი. ფოტონისა და ელექტრონის დრეკადი დაჯახება კომპტონის ეფექტში. ლაჯარებამდე ელექტრონი უძრავია; p_γ და p'_γ არის დაცემული და გაბნეული ფოტონების იმპულსები; $p_e = mv/\sqrt{1-v^2/c^2}$—უკუცემის ელექტრონის იმპულსი (v—მისი სიჩქარე), ϑ—ფოტონის გაბნევის კუთხე, φ—უკუცემის ელექტრონის გამოტყორცნის კუთხე დაცემული ფოტონის მოძრაობის მიმართულებისადმი.

კომპტონის ეფექტი, თავისუფალ ელექტრონებზე ელექტრომაგნიტური გამოსხივების დრეკადი გაბნევა, რასაც თან ახლავს ტალღის სიგრძის გადიდება; აღმოაჩინა ა. *კომპტონმა* 1922. კვანტური თეორიის თანახმად, ელექტრომაგნ. ტალღების გაბნევა დამუხტულ ნაწილაკებზე განიხილება როგორც ნაწილაკისა და ელექტრომაგნ. ველის კვანტის — ფოტონის დაჯახების შედეგი. ფოტონის ენერგია $\varepsilon_\gamma = h\nu = hc/\lambda$ და იმპულსი $\boldsymbol{p}_\gamma = (h/\lambda)\boldsymbol{n}$, სადაც λ არის დაცემული სინათლის ტალღის სიგრძე, ν — მისი სიხშირე, h — პლანკის მუდმივა, c — სინათლის სიჩქარე, $\boldsymbol{n}$ — ერთეული ვექტორი ტალღის გავრცელების მიმართულებით (γ ინდექსი აღნიშნავს ფოტონს). ელექტრონთან ფოტონის დაჯახებისას იგი თავისი ენერგიისა და იმპულსის ნაწილს გადასცემს ელექტრონს და იცვლის მოძრაობის მიმართულებას (გაიბნევა). რადგან ნაკლები ენერგიის ფოტონს შეესაბამება ნაკლები სიხშირე (ანუ დიდი ტალღის სიგრძე), ამიტომ გაბნეული სინათლის ტალღის სიგრძე დაცემული სინათლის ტალღის სიგრძეზე მეტია. უძრავი ელექტრონი ფოტონისაგან მიიღებს ენერგიასა და იმპულსს და ამოძრავდება — განიცდის უკუცემას.



„კომსომოლსკაია პრავდა“.

კომუნალური მანქანები. ნახ. 1. დაახლებული პუნქტის ტერიტორიის სანიტარული წმენდისა და დასუფთავების სამამულო მანქანები: 1 — ძარული ნაგავსაზიდი; 2—სარწყავ-სარეცხი მანქანა ᲐᲛ-130; 3 — უნივერსალური სატვირთველი უᲐ-66.

ნაწილაკთა მოძრაობის მიმართულება დაჯახების შემდეგ და მათი ენერგიები განსაზღვრება ენერგიისა და იმპულსის მუდმივობის კანონებით (იხ. ნახ.). ტალღის სიგრძის ცვლილება გამოისახება კომპტონის ფორმულით: $\Delta\lambda=\lambda'-\lambda=\lambda_0(1-\cos\theta)$, სადაც λ' არის გაბნეული სინათლის ტალღის სიგრძე, θ—ფოტონის გაბნევის კუთხე, ხოლო $\lambda_0=h/mc=2{,}4\cdot10^{-10}$ *სმ* $=0{,}024$Å ელექტრონის ე. წ. კომპტონის ტალღის სიგრძე (m ელექტრონის მასაა). ტალღის სიგრძის ცვლილება არ არის დამოკიდებული დაცემული სინათლის სიხშირეზე.

კომპტონის ტალღის სიგრძე, სიდიდე, რ-საც სიგრძის განზომილება აქვს, განსაზღვრავს რელატივისტური კვანტური ეფექტების გამოვლინების არეს. კ. ტ. ს. $\lambda_0=h/mc$, სადაც h არის პლანკის მუდმივა, m — ნაწილაკის მასა, c — სინათლის სიჩქარე. როდესაც რაიმე ტალღური ველის, მაგ. ელექტრომაგნ. ველის, λ ტალღის სიგრძე ნაკლებია კ. ტ. ს-ზე, მაშინ ამ ველის კვანტის ε ენერგია აღმოჩნდება ელექტრონის უძრაობის ენერგიაზე მეტი ($\varepsilon>hc/\lambda_0=mc^2$). ასეთ ველში შესაძლებელი ხდება ელექტრონულ-პოზიტრონული წყვილის წარმოქმნა, რაც რელატივისტური კვანტური თეორიით აიწერება. ხშირად კ. ტ. ს-ს უწოდებენ აგრეთვე $\lambda_0=\hbar/mc$ ($\hbar=h/2\pi$). ელექტრონისათვის $\lambda_0=3{,}86\cdot10^{-11}$ *სმ*, პროტონისათვის $\lambda_0=2{,}10\cdot10^{-14}$ *სმ*.

კომსომოლეცი, ყველაზე ჩრდ-ით მდებარე, სიდიდით მესამე კუნძული ჩრდილოეთის მიწის არქიპელაგში. ფართ. 9006 *კმ*². სიმაღლე 780 *მ*-მდე. კ-ის ზედაპირის დაახლ. 65% დაფარულია მყინვარით. უმთავრესად აგებულია თიხნარებით, ქვიშებითა და ალევროლითებით.

„კომსომოლსკაია პრავდა“, საკავშირო ახალგაზრდული გაზეთი, საკავშირო ალკკ ცკ-ის ორგანო; გამოდის მოსკოვში რუს. ენაზე, კვირაში 6-ჯერ. დაარსდა რკკ(ბ) XIII ყრილობის (1924) გადაწყვეტილებით. პირველი ნომერი გამოიცა 1925 წ. 24 მაისს. „კ. პ.“ არის საბჭ. ახალგაზრდობის ორგანიზატორი კომპარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში. პირველი ხუთწლედების პერიოდში გაზეთი ახალგაზრდობას მოუწოდებდა და რაზმავდა სოციალ. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, კულტ. რევ. განსახორციელებლად, სსრკ თავდაცვის განსამტკიცებლად; დიდი სამამულო ომის წლებში (1941–45) გერმ. ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად. „კ. პ.“ აშუქებს კომკავშირული ორგანიზაციების გამოცდილებას, მრეწვ. და სოფ. მეურნ. მოწინავე მეთოდებს, კოლმეურნე და მუშა ახალგაზრდობის, სტუდენტების, პიონერ-მოსწავლეთა ცხოვრებას; პოლიტ., ახალგაზრდობის საერთაშ. დემოკრ. მოძრაობის, ლიტ-რის, ხელოვნ., ესთეტ., მორალის საკითხებს და სხვ. გაზეთი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1930), სამამულო ომის I ხარისხის ორდენით (1945), 2 შრომის წითელი დროშის ორდენით (1950, 1970). ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1975). ტირაჟი დაახლ. 9 მლნ. (1979).

კომსომოლსკაია პრავდას კუნძულები, კუნძულთა ჯგუფი (9 კუნძული) ლაპტევების ზღვის სამხრ.-დას. ნაწილში, კრასნოიარსკის მხარის ტაიმირის (დოლგან-ნენთა) ავტ. ოკრუგში. დიდი კ-ებია: დიდი და სამუილი, რ-თა სიგრძე შესაბამისად 20 და 14 *კმ*-ია, სიგანე 11 და 5,6 *კმ*, სიმაღლე 68 *მ*-მდე. უმთავრესად აგებულია ქვიშებით. რელიეფი ბორცვიანია. იზრდება ტუნდრის მცენარეულობა.

კომუნა (ფრანგ. commune <ლათ. communis — საერთო), ქალაქის ან სოფლის ტიპის დასახლება, რ-იც ქმნის მცირე ადმ.-ტერ. ერთეულს ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ალჟირი, სენეგალი და სხვ.). კ-ს, როგორც წესი, მართავს არჩევითი მუნიციპალური საბჭო, რ-იც ხელმძღვანელობს კომუნალური სამსახურის საქმიანობას (ჯანმრთელობის, განათლების, ტრანსპორტის და სხვ. დარგში), ადგილ. მნიშვნელობის საზ. მუშაობას და სხვ. მუნიციპალური საბჭოს აღმასრ. ორგანოდ ითვლება მერი (ან ბურგომისტრი), რ-საც ირჩევს თვით საბჭო ან ნიშნავს მთავრობა. მერი ამავე დროს ცენტრ. მთავრობის წარმომადგენელია და იცავს მთავრობის ინტერესებს. მუნიციპალური საბჭოსა და მერის საქმიანობას მკაცრ კონტროლს უწევს მთავრობა.

კომუნა ფ. ძერჟინსკის სახელობისა, აღმზრდელობითი დაწესებულება ბავშვებისათვის. დაარსდა დაბა ახალ ხარკოვში (ქ. ხარკოვის გარეუბანი) უკრ. ჩეკისტების ხელფასის ნებაყოფლობითი ანარიცხებით (როგორც ფ. ძერჟინსკის ძეგლი). გაიხსნა 1927 წ. 29 დეკ.; 1935-მდე კ-ს ხელმძღვანელობდა ა. მაკარენკო. კოლექტივის ბირთვი შეადგინეს მ. გორკის სახ. კოლონიის (იხ. *კოლონია მ. გორკის სახელობისა*) ყოფილმა აღსაზრდელებმა. აღმზრდელობითი პროცესი კოლონიაში ეყრდნობოდა სწავლებისა და საწარმოო შრომის შერწყმას. 1932 კ-ში გაიხსნა ელექტროინსტრუმენტების ქ-ნა (რ-მაც ქვეყანას მისცა ფდ-1 მარკის პირველი ელექტრობურღი), შემდგომ—ფოტოაპარატებისა (მათი პირველი სერია ფედ მარკით გამოვიდა 1933). 1930 კ-ში გაიხსნა ხარკოვის მანქანათმშენებლობის ინ-ტის მუშათა ფაკ-ტი, 1934 — სკოლა ათწლედი. კ-ს უძღვნა ა. მაკარენკომ ნაწარმოებები „30 წლის მარში“, „ფდ-1“, „აღმები კოშკებზე“, პიესა „მაჟორი“, „მეორე დაბადება“. 30-იან წლებში კოლონია გადაეცა შრომით-გამასწორებელ დაწესებულებათა სისტემას.

კომუნა სასოფლო-სამეურნეო, სოფლის მეურნეობის კოოპერაციის ერთ-ერთი ფორმა სსრ კავშირში; შეიქმნა საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში. კ-ში განზოგადოებული იყო ყველა ნაგებობა, წვრილი ინვენტარი, პირუტყვი, წარმოების საშუალებები და მიწათსარგებლობა. გამორიცხავდა კ-ის წევრებისათვის პირადი დამხმარე მეურნ. არსებობას და გულისხმობდა მატერ. დოვლათის გათანაბრებულ განაწილებას. რსფსრ ტერიტორიაზე 1920 არსებობდა 2117 კ. საქართველოში 1924 მხოლოდ 2 (ზემოქედისა და სამთავისის), 1927 კი — 7.

კ. უმთავრესად იქმნებოდა მემამულეთა და საეკლ. კონფისკაცია ქმნილი მეურნეობების ბაზაზე.

კ-მ დიდი როლი შეასრულა სოციალ. მშენებლობაში გლეხობის ჩაბმისა და მათი წვრილმესაკუთრული ფსიქოლ. გარდაქმნის საქმეში, მაგრამ იგი თავიდანვე უძლური აღმოჩნდა გათანაბრებული განაწილების, ტექ. აღჭურვილობისა და განსაკუთრებით მომუშავეთა მატერ. დაინტერესების საქმეში. ამიტომ 30-იანი წლებიდან ყველა კ. სას.-სამ. არტელად გარდაიქმნა (იხ. აგრეთვე *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*).

კომუნალური კრედიტი, კრედიტი, რ-იც გამოიყოფა კომუნალური მეურნეობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის; კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი საბანკო კრედიტის ერთ-ერთი სახეობაა; მისი მობილიზება წარმოებს ადგილ. თვითმმართველობის ორგანოების ან საკრედიტო დაწესებულებების მიერ კომუნ. საობლიგაციო სესხების გამოშვებით. კაპიტალ. წარმოების წესის პირობებში კ. კ-ს თვითმმართველობის ორგანოები ლებულობენ ქალაქის ნაგებობათა ან მიწის ნაკვეთების ვირაოს სახით. იმპერიალიზმის პერიოდში მონოპოლიები კ. კ-ის მეშვეობით კონტროლს უწევენ ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობას, ქალაქის მეურნეობისა და მას კომუნ. ბინათმშენებლობის მოგების მისაღებად იყენებენ.

რუსეთში კ. კ. ვერ გავრცელდა. საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მიწის კერძო საკუთრების გაუქმებასთან დაკავშირებით. საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში საცხოვრ. და კომუნ. მეურნეობას აკრედიტებენ კომუნ. ბანკები. 1959-იდან ამ ბანკების ფუნქციები გადაეცა სსრკ სახბანკსა და სსრ მშენბანკს.

კომუნალური მანქანები, კომუნალური მეურნეობის მანქანები, რ-თა დანიშნულებაა დასახლებულ პუნქტთა ტერიტორიის, საზ. შენობათა სათავსების სანიტ. გასუფთავება, თეთრეულისა და ტანსაცმლის გარეცხვა და ქიმწმენდა. ნაკლები სიმძლავრის და გაბარიტების მანქანებს, რ-ებსაც საცხოვრ. სათავსების დასასუფთავებლად, თეთრეულისა და ტანსაცმლის გასარეცხად და გასაწმენდად იყენებენ, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს უწოდებენ.

პირველი კ. მ. შექმნეს XIX ს. II ნახევარში. მნიშვნელოვნად განვითარდა კომუნ. ტექნიკა XX ს. 30-იან წლებში. სსრკ-ში კომუნ. ტექ. განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1965 სპეც. დარგის — კომუნ. მანქანათმშენებლობის — შექმნამ.

დასახლ. პუნქტების სანიტ. გაწმენდის მანქანების (ნახ. 1) დანიშნულებაა ნაგვისა და უსუფთაობის მოგროვება, გაუსნებოვნება და უტილიზაციის ადგილებზე გატანა. ამ მანქანების 2 ძირითადი ჯგუფია: 1. საასენიზაციო მანქანები (სანაგვე ორმოების გასაწმენდად და თხევადი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსაცილებლად) და ნაგავსაზიდები (ნაგვისა და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოსაგროვებლად და გასატანად). საასენიზაციო მანქანებს აქვს ჰერმეტული ცისტერნა, აგრეთვე ნაგვის ასაღები შლანგი და ცისტერნის შესავსები და დასაცლელი ტუმბო (ამუშავებს ავტომობილის ძრავა). ნაგავსაზიდები ორგვარია: ძარული და კონტეინერული. არსებობს აგრეთვე ლამსაწოვი მანქანები, რ-ებსაც *სანიაღვრო კანალიზაციის* ჭების მექანიზებული წმენდისათვის იყენებენ.

დასახლ. პუნქტების ტერიტორიის დასასუფთავებელ მანქანებს (ნახ. 1) იყენებენ როგორც მოსარწყავად და დასაგველად, ისე ტერიტორიის თოვლისაგან გასაწმენდად.

საზ. დანიშნულების სათავსთა დასასუფთავებელი მანქანები (ნახ. 2) მუშაობს ელექტროქსლის აკუმულატორების ან შიგაწვის ძრავების ბარჯზე. მათ რიცხვში შედის იატაკსარეცხი, დასაგველი, მტვერსასრუტი და იატაკსაპრიალებელი მანქანები.

სამრეცხაოებისა და ქიმწმენდის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობანი (ნახ. 3) შემდეგ ჯგუფებად იყოფა: თეთრეულის სარეცხი, გასაშური, გასაშრობი და საუთოებელი მანქანები, ტანსაცმლის ქიმწმენდის მანქანები, სატრანსპ., სასაწყობო და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა კომპლ. მექანიზაციის მანქანები და მოწყობილობები. გარეცხილ და გაწურულ სწორ თეთრეულს ამუშავებენ საშრობ-საუთოებელ მანქანებში, სტაკეცებზე და კალანდრებზე, ფასონურ თეთრეულს კი—საუთოებელ წნეხებში ან მანეკენებზე.

ქიმწმენდის მანქანებში სრულდება ტანსაცმლის დამუშავების რამდენიმე ოპერაცია: ცხიმგაცლა გამხსნელებში, გაწურვა, გაშრობა და განიავება, ტანსაცმლიდან ლაქების ამოყვანა და სხვ. საბოლოოდ ტანსაცმელს ამუშავებენ საუთოებელ წნეხებზე, ორთქლის მანეკენებზე და სხვა მოწყობილობებზე.

ქალაქის საცხოვრ.-კომუნ. მეურნეობებში, ჩამოთვლილი მანქანების გარდა,

იყენებენ ე. წ. ტელესკოპურ კიბეს, გზის საფრის სარემონტო მანქანებს და სხვ.

კომუნალური მეურნეობა, ქალაქების, დასახლებებისა და სოფლების მოსახლეობის მომსახურების საწარმოთა და მეურნეობათა ერთობლიობა. ქ-ების კ. მ. შედის საქალაქო მეურნეობაში. ცალკეულ შემთხვევებში ქ-ებისა და დასახლებების კ. მ-ის საწარმოები შეიძლება სამრეწვ. საწარმოებს ამარაგებდეს წყლით, ელექტროენერგიით, გაზით და ა. შ. კ. მ. აერთიანებს სანიტ.-ტექ., ენერგეტ. და სატრანსპ. მეურნეობებს. აგრეთვე სასტუმროებს, მიწის სამუშაოთა სამსახურებს, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს, სასაფლაოებს და სხვ. გარდა ამისა, დასახლ. ადგილებში გარე კეთილმოწყობისათვის კ. მ-ში შედის გზები, ტროტუარები, ხიდები, გზის გაყვანილობანი, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები, ქუჩების განათება და სხვ.

კ. მ-ის სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე იმ საცხოვრ. ფონდის ექსპლუატაცია, რ-თანაც დაკავშირებულია კომუნ. წარმოებანი და დასახლ. ადგილების კეთილმოწყობის სამსახურები.

რევოლუციამდელ საქართველოში კ. მ., როგორც სახელმწიფოებრივი სისტემა, არ არსებობდა, რის გამოც დასახლ. პუნქტები არ იყო კეთილმოწყობილი. დაბალი იყო კ მ-ის მომსახურების დონე. საბჭ. ხელისუფლების წლებში საყოფაცხოვრებო კ. მ. საქართველოში გადაიზარდა მსხვილ, სწრაფად განვითარებად დარგად, რ-იც გეგმიან საფუძველზე მოქმედებს.

საქ. სსრ კ. მ-ის ქალაქთა წყალგაყვანილობის სიმძლავრე 1975 წ. 1940 წელთან შედარებით 12-ჯერ გაიზარდა.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სათანადო ყურადღება მიექცა ქ-ების, სოფლების, ქუჩების, მოედნებისა და გარეუბნების კეთილმოწყობას, გაშენდა ახ. ქუჩები, ჩატარდა ძვ. ქუჩების რეკონსტრუქცია, ყველა ქუჩისა და სანაპირო ქუჩების სიგრძე 1976 დამდეგს შეადგენდა 6,8 ათ. *კმ*. საერთო სარგებლობის მწვანე მასივებისა და ნარგავების ფართობი 1975 შეადგენდა 7,96 ათ. *ჰა*.

დიდი ყურადღება ექცევა რესპ. ქ-ებში ქუჩების მომსახურებას.

1921-მდე სასტუმრო მეურნ. მთლიანად კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა, ხოლო რიგ ქ-ებში იგი საერთოდ არ იყო. 1975 საქ. სსრ-ში იყო კ. მ-ის 75 სასტუმრო.

1971 რესპუბლიკაში გრძელდებოდა მუშაობა ახ. წყალსადენებისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის. გაზიფიცირებული ბინების რიცხვი 1975 ბოლოსათვის შეადგენდა 939 7 ათასს (ე. ი. 1965 წელთან შედარებით 4,5-ჯერ გაიზარდა).

კომუნალური მომსახურება, მომსახურება, რ-საც ეწევიან კომუნალური მეურნეობის საწარმოები ქ-ებში, დაბებსა და სოფლებში მოსახლ. მატერ.-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საერთო მომსახურების კომუნ. საწარმოები რიგ ქ-ებსა და დასახლებებში სამრეწვ. საწარმოებს ამარაგებენ აგრეთვე წყლით, ელექტროენერგიით, გაზით და ა. შ.

კომუნალური მშენებლობა, მშენებლობის დარგი, რ-იც აშენებს ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებებისა და რაიონული ცენტრების მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ ობიექტებს (წყალმომარაგების სისტემა და კანალიზაცია გამწმენდი ნაგებობებითა და ქსლით, გაზგაყვანილობისა და თბოგაყვანილობის კვანძები მანაწილებელი პუნქტებით, სასტუმრო, ქალაქის პიდრო-ტექ. ნაგებობები, გზები, ხიდები, გამწვანება, სანიტ. დასუფთავების ნაგავგადასამუშ. საწარმოები და სხვ.). კ. მ-ის გეგმაზომიერი განვითარება სსრკ-ში, დაიწყო პირველ ხუთწლედში.

კომუნ. ობიექტების ძირითადი ფონდების ღირებულება საქ. სსრ-ში 1926 შედარებით 1975-ში 35-ჯერ მეტია. 1976—80 წყალსადენის ნაგებობების სიმძლავრეთა საერთო ნამატი რესპუბლიკაში შეადგენს 406 ათ. ∂^3 დღე-ღამეში, ქსლის სიგრძე გაიზრდება — 1101 *კმ*-ით, რის შედეგად გაიზრდება სასმელი წყლის რაოდენობა ქალაქის მოსახლეობის ერთ სულზე; 1980 წლის ბოლოსათვის იგი მიაღწევს 584 ლიტრს დღე-ღამეში; ამავე პერიოდში ექსპლუატაციაში შევა კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები (რ-თა სიმძლავრე დღე-ღამეში 550 ათ ∂^3 იქნება), კანალიზაციის კოლექტორები და ქსელი; მათი საერთო სიგრძე გაიზრდება 408 *კმ*-მდე.

კომუნალური ტარიფები, განაკეთების სისტემა, რ-ის მიხედვით იხდიან ღირებულებას სხვადასხვა სახის კომუნ. მომსახურებისათვის (ელექტროენერგიის, გაზის, წყლის, საქალაქო ტრანსპორტის და სხვ. სარგებლობისათვის). მოქმედებს საქალაქო ტრანსპ. სანიტ. ტექ. საწარმოების, მოქალაქეთა პირადი ჰიგიენის მომსახურების, კომუნ. ენერგომომარაგების საწარმოებისა და სხვ. ტარიფები (იხ. აგრეთვე *ტარიფები*).

კომუნარსკი (1931-მდე ალჩევსკი, 1961-მდე ვოროშილოვსკი), ქალაქი უკრ. სსრ ვოროშილოვგრადის ოლქში. რკინიგზის სადგური ვოროშილოვგრად—დებალცევოს ხაზზე. 120 ათ. მცხ. (1979). დონბასის ერთ-ერთი დიდი მეტალ. ცენტრი. მეტალ., კოქსქიმ., სამშენებლო კონსტრუქციების ქ-ნები. სამთო-მეტალ. ინ-ტი, ინდუსტრ. ტექნიკუმი. დაარსდა 1895.

კომუნიზმი (<ლათ. communis—საერთო, საზოგადო), 1. ადამიანთა ცხოვრების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი საფეხური. კაპიტალიზმის შემცველი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია, რ-იც ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას. 2. ვიწრო გაგებით — ამ ფორმაციის უმაღლესი ფაზა (სოციალიზმთან შედარებით).

კ. წარმოიშვა როგორც ოცნება ადამიანთა სამართლიან საზ-ბაზე, შემდეგ იგი მეცნიერებად იქცა, ჩვენს ეპოქაში კი უკვე რევ. პრაქტიკას წარმოადგენს. კ-ზე ოცნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ უძველეს დროში, მონათმფლობელურ და ფეოდ. წყობილებათა წიაღში ჩაისახა სამართლიანი საზ. წყობილების იდეები. წარმოიშვა ლეგენდა „ოქროს საუკუნეზე", რ-იც აიდეალებდა წარსულს, პირველყოფილ-თემურ წყობილებას, სადაც ბუნებრივად აღმოცენებული თავისუფლება და თანასწორობა სუფევდა. ძვ. საბერძნეთში შეიქმნა ლიტ. ნაწარმოებები, რ-ებშიც აღწერილია „ოქროს საუკუნის" იდეალური საზ-ბა საყოველთაო კეთილდღეობითა და ბედნიერებით. ანტ. ხანის საბერძნეთში მომხმარებლური კ-ის პირველი თეორ.-ფილოს. დასაბუთება მოგვცა პლატონმა.

პირველი კომუნისტური შეხედულებანი საერთო საკუთრებისა და სოც. თანასწორობის მოთხოვნას ემყარებოდა. ამ მოთხოვნას იყენებდნენ თავიანთ რევ. ბრძოლაში XV ს. ჩეხიაში ჰუსისტური მოძრაობის, XVI ს. გერმანიაში გლეხთა ომის, XVII ს. ინგლისსა და XVIII ს. საფრანგეთში ბურჟ. რევოლუციების რადიკალური მონაწილენი (მ. ჰუსკა, თ. მიუნცერი, ჯ. უინსტენლი, გ. ბაბეფი).

ცხოვრების კომუნისტური წესის შესახებ პირველი დიდი თხზულებები შეიქმნა კაპიტალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების პერიოდში. XVI—XVII სს. ჰუმანიზმისა და XVIII ს. ფრანგ განმანათლებლობის იდეოლოგიაზე დაყრდნობით შემუშავებული შეხედულებანი მომავლის სამართლიან საზ-ბაზე ასახულია ტ. მორის, ტ. კამპანელას, ი. მორელის, გ. მაბლის ნაწარმოებებში. ამავე ნაწარმოებებში მოცემულია აგრეთვე ერთგვარი პროტესტი ახლად ჩასახული ბურჟ. საზ-ბის მანკიერებათა წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე, ეს სოციალისტ-უტოპისტები საერთო ასკეტიზმსა და ტლანქ გათანაბრებას ქადაგებდნენ. XIX ს. მიჯნაზე, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლის პირველ პერიოდში, წარმოიშვა ა. სენ-სიმონის, შ. ფურიეს, რ. ოუენის კრიტ. უტოპიური სოციალიზმი. მათ მკაცრად გააკრიტიკეს ბურჟ. წესწყობილება და გაამდიდრეს მომავალ კომუნისტურ საზ-ბაზე შეხედულებანი იდეებით შრომის, როგორც სიამოვნების, შრომის მონაცვლეობის, შრომითი შეჯიბრების, ადამიანის უხარის გაფურჩქვნის, მისი ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების. ცენტრალიზებული გეგმიანობის, შრომის მიხედვით განაწილების შესახებ მაგრამ კლასობრივი განსხვავების მოსპობის შესახებ მათ მიერ შედგენილი იდეალ. და უტოპიური სქემები იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ვერ ჩასწვდნენ კლასობრივი ბრძოლის არსს და ვერ გამონახეს საზ. ძალა, რ-იც ახ. საზ-ბის შექმნას უწელმძღვანელებდა. რუსეთში უტოპიური სოციალიზმის იდეების განმავითარებლად წარმოგვიდგებიან დიდი რევოლუციონერ-დემოკრატები: ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი. უტოპიური სოციალიზმისა და რევ. დემოკრატიზმის იდეებს ქადაგებდა გამოჩენილი ქართვ. მოაზროვნე ი. ჭავჭავაძე.

მეცნ. კ., როგორც კ-თვის მუშათა კლასის რევ. ბრძოლის თეორ. გამოხატულება, წარმოიშვა XIX ს. 40-იან წლებში, როცა წარმოების კაპიტალ. წესის განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო გამწვავდა ბურჟ. საზ-ბის კლასობრივი წინააღმდეგობანი დ საკუთარი პოლიტ. და ეკონ. მოთხოვნებით ისტ. ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდა პროლეტარიატი (ლიონის ფეიქართა აჯანყება 1831—34, ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში, სილეზიის ფეიქართა შეიარაღებული გამოსვლა 1844).

მეცნ. კ-ის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კრიტიკულად დაამუშავეს ფრანგ. უტოპიური სოციალიზმის, გერმ. კლასიკური ფილოს. და ინგლ. პოლიტ. ეკონ. იდეები, გააანალიზეს, მეცნიერულად ახსნეს და განაზოგადეს კაპიტალიზმისდროინდელი საზ. ცხოვრების მოვლენები და ისტ. მატერიალ. გაგებასა და ზედმეტი ღირებულების თეორიაზე დაყრდნობით შეიმუშავეს კ-ის მეცნ. თეორია, რ-იც მუშათა კლასის ინტერესებსა და მსოფლმხედველობას გამოხატავს. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს მომღვრება ბურჟ. ბატონობის დამბობისა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების შესახებ. გვიჩვენეს მუშათა კლასის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახ. წყობილების შემოქმედის როლი და შეაიარაღეს პროლეტარიატი საზ-ბის რევ. გარდაქმნის თეორიით. „მათ მუშათა კლასს ასწავლეს თვითშემეცნება და თვითშეგნება და ოცნების ადგილას მეცნიერება დაამყარეს" (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 7). ვ. ი. ლენინის, სკკპ-ის, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ ახ. პირობებთან შეფარდებით განვითარებული და გამდიდრებული მეცნ. კ. ასახავს კ-ზე კაცობრიობის გადასვლის ისტ. კანონზომიერებას, გვიჩვენებს კომუნისტური საზ-ბის აშენების გზებს.

სოციალიზმით კაპიტალიზმის რევ. შეცვლის ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარებით. მათი ზრდის შედეგად „კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალის-

კომუნალური მანქანები. ნახ. 2. სათავსის დასასუფთავებელი სამამულო მანქანები: 1—ელექტროამძრავიანი ვაკუუმური დასაგველ-მტვერს.სრუტი მანქანა კუ—403 ა; 2—ვაკუუმურ-ჯაგრისიანი მანქანა კუ—404, რომელსაც აკუმულატორი კვებავს; 3—დასაგველ-მტვერსასრუტი მანქანა კუ—405; 4—მტვერსასრუტი მანქანა პო—11; 5—წყალმტვერსასრუტი მანქანა კუ—001.







ტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“ (მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 956—957).

წარმოების განსაზოგადოების სწრაფი ტემპი, სახელმწიფო-მონოპ. კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება იმპერიალიზმის ეპოქაში ნიშნავს ახ. ფორმაციის სრულ მატერ. მომზადებას. ამასთან, კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი ამწვავებენ კლასთა ბრძოლას, რის გარდუვალ შედეგსაც სოციალ. რევოლუცია წარმოადგენს. იმპერიალიზმი სოციალ. რევ. წინა დღეა. კაპიტალიზმის ეკონ. და პოლიტ. განვითარების უთანაბრობამ განაპირობა სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რითაც დასაბამი მიეცა კაცობრიობის კ-ზე გადასვლის ეპოქას. დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციას II მსოფლიო ომის შემდეგ მოჰყვა სოციალ. რევოლუციათა გამარჯვება ევრ., აზიისა და ამერ. რიგ ქვეყნებში და ამიერიდან, უკვე სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მასშტაბით, გრძელდება ახ. კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბება.

თავისი წარმოშობის დროიდან კომუნისტური ფორმაცია გაიელის ისტ. განვითარების სამ ძირითად ეტაპს: 1. კაპიტალიზმიდან (ან კაპიტალიზმამდელი საფეხურიდან) სოციალიზმზე საზ-ბის რევ. გადასვლა, რაც სოციალიზმის გამარჯვებით მთავრდება; 2. კ-ის I ფაზა სოციალიზმია, იგი დაკავშირებულია საკუთარ საფუძველზე კ-ის განვითარების დაწყებასთან; 3. კომუნისტური საზ-ბის უმაღლესი ფაზაა — სრული კომუნიზმი. მეცნ. კ-ის თეორ. დასკვნა ყველა ხალხის მიერ ამ ეტაპების გავლის აუცილებლობის შესახებ დადასტურებულია ისტ. გამოცდილებით. თითოეული ეტაპი ხასიათდება თავისი განსაკუთრებული პირობებით და ამიტომ მათში მოქმედებს განვითარების არა მხოლოდ საერთო, არამედ საკუთარი, ნიშანდობლივი კანონზომიერებანიც. კ-ის ჩამოყალიბების ისტ. პირობებისა და ეტაპების უგულებელყოფა და აღრევა დიდ ზიანს აყენებს კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ხორციელდება სოციალ. გარდაქმნები ეკონომიკასა და სოც.-პოლიტ. სფეროში, ადამიანთა სოციალ. შეგნების ფორმირების, შრომის ახ. დისციპლინის შექმნისა და განმტკიცების დარგში. მეცნ. კ. გვასწავლის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის სოც.-ეკონ. პირობების ძირითადი მსგავსების გამო არსებობს სოციალ. მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი. თითოეულ ქვეყანაში ისინი თავს იჩენენ სოციალ. გარდაქმნათა განხორციელების სპეციფ. გზებში, ფორმებსა და მეთოდებში. სოციალიზმის აშენება შესაძლებელია მხოლოდ ამ კანონზომიერებათა შეგნებული გამოყენების საფუძველზე. სოციალ. მშენებლობის კანონზომიერებანია: სოციალ. რევ. და ამა თუ იმ ფორმით პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პროცესში მშრომელი მასების ხელმძღვანელობა მუშათა კლასის მიერ, რ-ის ავანგარდია მარქსისტულ-ლენინური პარტია. მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან და მშრომელთა სხვა ფენებთან, ეროვნ. ჩაგვრის ლიკვიდაცია და თანასწორუფლებიანი, ძმური მეგობრობის დამყარება ერებს შორის; სოციალიზმის მონაპოვართა დაცვა გარეშე და შინაური მტრების ხელყოფისაგან; წარმოების ძირითად საშუალებათა კაპიტალ. საკუთრების მოსპობა და საზ. საკუთრების დამყარება; სახ. მეურნ. გეგმაზომიერი განვითარება; სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნა; კულტ. რევოლუცია და სხვ. სოციალ. ქვეყნების უმრავლესობა გარდამავალი პერიოდის ამოცანების გადაჭრის შემდეგ 60-იანი წლების დასაწყისისათვის შევიდა კომუნისტური ფორმაციის სოციალ. ფაზაში და ახლა განვითარებული სოციალიზმის შექმნის ამოცანას წყვეტს. სსრკ-ში, რ-იც სოციალიზმის ფაზაში 30-იან წლებში შევიდა, უკვე განვითარებული სოციალ. საზ-ბა შეიქმნა და ახლა კომუნისტური მშენებლობა ხორციელდება. კომუნისტურმა ფორმაციამ ისეთი ისტ. მიჯნას მიაღწია, როცა მისი განვითარების პროცესი უკვე შეუქცევი ხდება. სოციალიზმმა სრულ და საბოლოო გამარჯვებას მიაღწია.

სოციალიზმი ახ. საზ-ბაა, რ-იც ხანგრძლივი მშობიარობის ტკივილების შემდეგ „...ეს არის ახლა გ ა მ ო დ ი ს კაპიტალისტური საზოგადოებიდან; ამიტომ მას ყოველმხრივ, — ეკონომიკურად, ზნეობრივად, გონებრივად, ჯერ კიდევ დაღი აზის ძველი საზოგადოებისა“... (მ ა რ ქ ს ი კ., ე ნ გ ე ლ ს ი ფ., რჩ. ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964, გვ. 17). მიუხედავად ამისა, იგი მაინც დიდად განსხვავდება არა მხოლოდ კაპიტალიზმისაგან, არამედ გარდამავალი პერიოდის საზ-ბისაგანაც ეკონ. წყობით, კლასობრივი სტრუქტურით, პოლიტ. ორგანიზაციით. განკითარების ამ საფეხურზე სოციალ. ეკონომიკა უკვე მთელ სახ. მეურნეობას მოიცავს, ექსპლუატატორული კლასები აღარ არსებობს, სახელმწიფო საერთო სახალხო პოლიტ. ორგანიზაციად იქცევა და დემოკრატია უზრუნველყოფილია საზ-ბის ყველა წევრისათვის. ეკონ. შემდგომ სრულყოფას, საზ-ბის სოც.-პოლიტ. ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, მასების შეგნებაში კ-ის იდეალების სრულ დამკვიდრებას მივყავართ განვითარებულ სოციალიზმამდე — ჩამოყალიბებულ, ფორმირებულ სოციალ. საზ-ბამდე, რ-შიც მომწიფებულია ძირითადი წინაპირობები კ-ის გაშლილი მშენებლობისათვის.

კ-ის უმაღლესი ფაზა ვითარდება საკუთარ საფუძველზე, იგი ყალიბდება სოციალიზმის ეკონ. ურთიერთობათა სრულყოფის ბაზაზე. განსხვავება კ-ის ორ ფაზას შორის ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, საზ. წარმოების განვითარების დონეთა სხვაობაში. მართალია, კ-ის ცნებას სოციალიზმის დასახასიათებლადაც იყენებენ, რამდენადაც წარმოების საშუალებანი აქ საერთო საკუთრება ხდება, მაგრამ ეს სრული კ. არ არის, რადგან ამ საფეხურზე კ. ჯერ კიდევ არ არის ეკონომიკურად სავსებით მომწიფებული.

სოციალიზმიდან კ-ზე გადასვლა ხდება მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ძირითად კანონზომიერებათა საფუძველზე, რ-თაც (თითოეული ქვეყნის ისტ. და ეროვნ. თავისებურებათა გათვალისწინებით) საყოველთაო ხასიათი აქვთ. ეს კანონზომიერებანია: სოციალ. საზ-ბის საწარმოო ძალთა ყოველმხრივი ზრდა, საზ. წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი; შრომის კომუნისტური დანაწილების წარმოშობა; სოციალ. წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა, ქალაქსა და სოფელს, ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევა; სოც. პროცესების მეცნ. მართვა; ყოფაცხოვრების გარდაქმნა კომუნისტურ საწყისებზე; სოციალ. კულტ. შემდგომი აყვავება; პიროვნების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, საზ-ბის წევრთა მეცნ. მსოფლმხედველობისა და კომუნისტური მორალის ფორმირება; ხალხის მასების შეგნებული შემოქმედების განუხრელი ზრდა და ა. შ.

სოციალიზმიდან კ-ზე გადასვლა არსებითად თანდათანობით ხასიათს ატარებს. იგი ხორციელდება არა სოც. რევ., არსებული წყობილების ძირფესვიანი შეცვლის გზით, არამედ მისი განმტკიცების, სოციალიზმის ნიშნების განვითარებისა და სრული კ-თვის დამახასიათებელი ახ. თავისებურებებისა და ნიშნების წარმოქმნის გზით. მაგ., კ-ის უმაღლეს ფაზაში განვითარებული სახით წარმოგვიდგება სოციალიზმის ზოგიერთი ნიშანი და კანონზომიერება: წარმოების საშუალებათა საზ. საკუთრება, ადამიანთა ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა, შრომია შეგნებული დისციპლინა, სახ. მეურნ. გეგმიანობა, შრომის საყოველთაობა და სხვ. განმტკიცდება სოციალიზმის ისეთი მონაპოვარი, როგორიცაა ექსპლუატაციის სოც. დამონებისა და ეროვნ. ჩაგვრის არარსებობა. ორივე ფაზისათვის დამახასიათებელია საზ-ბის წევრთა მზარდი მოთხოვნილებების მაქს. დაკმაყოფილება წარმოების მიღწეული დონის შესაბამისად. სოციალიზმის ზოგიერთი არსებითი ნიშანი, რ-იც დაკავშირებულია არა საკუთარ საფუძველზე მისი განვითარების თავისებურებებთან, სახეს შეიცვლის ან საერთოდ ზედმეტი გახდება სრული კ-ის დროს, ან მისი ჩამოყალიბების პროცესში. მაგ., საკუთრების ორი ფორმა (სახელმწიფო და კოოპერაციული) განვითარდება და გარდაიქმნება ერთიან კომუნისტურ საკუთრებად; შრომის მიხედვით განაწილებას შეცვლის მოთხოვნილების მიხედვით განაწილება; გაქრება ზედნაშენის პოლიტ. და სამართლებრივი ელემენტები, თანდათანობით დაიძლევა კაპიტალიზმის გადმონაშთები ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში. სრული კ. შეიძენს აგრეთვე ახ. თვისებებს, რ-ებიც არ შეიძლება ჰქონდეს სოციალიზმს: მატერ. და სულიერი სიკეთის სიუხვე, წარმოების მუშაკთა ყოველმხრივი განვითარება, შრომა როგორც ადამიანის პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება, სრული სოც. თანასწორობა, საზ. თვითმმართველობა, განაწილება მოთხოვნილების მიხედვით და სხვ.

კ-ის მშენებლობა მოითხოვს სამი ძირითადი ამოცანის (მატერ.-ტექ. ბაზის შექმნა, ახ. კომუნისტურ საზ. ურთიერთობათა ჩამოყალიბება, ახ. ადამიანის აღზრდა) გადაწყვეტას. კ-ზე გადასვლა ხდება არა სოციალიზმის პრინციპების გაუქმების ან მათზე უარის თქმის, არამედ მათი ყოველმხრივ გამოყენებისა და განვითარების გზით. კ-ის პრინციპების განხორციელების მთავარი მატერ. პირობაა საზ. შრომის ჯერ არნახული უმაღლესი ნაყოფიერება. მისი მიღწევა შეიძლება შრომის მატერ.-ტექ. აღჭურვილობისა და საწარმოო ძალების გაფანტული ზრდის საფუძველზე. მათი განვითარების თვისებრივად ახ. საფეხურია კ-ის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნა. ამ ბაზაზე დამყარებული წარმოების ზრდა განსაზღვრავს კ-ის მშენებლობის ძირეულ სოც.-პოლიტ. პრობლემათა წარმატებით გადაჭრას.

კ-ის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნა ორგანულად უკავშირდება სოციალ. წარმოებითი ურთიერთობების გადაზრდას კომუნისტურში. ეს პროცესი ხასიათდება კლასობრივ განსხვავებათა წაშლით, ხალხის სოც. ერთიანობის განმტკიცებით და საბოლოო ანგარიშით იწვევს უკლასო საზ-ბის შექმნას. შეიცვლება ეროვნ. ურთიერთობანიც. გაგრძელდება პროცესი ერების დაახლოებისა, გაიზრდება მათი ეკონ. და იდეური ერთობა, განვითარდება მათი სულიერი სახის საერთო ნიშნები, სანამ ბოლოს არ მოხდება ნებაყოფლობითი შერწყმა ადამიანთა ერთობაში. კომუნისტური ურთიერთობების ჩარჩოებში უზრუნველყოფილი იქნება საზ. და პირადი ინტერესების ერთიანობა სრული სოც. თანასწორობის ბაზაზე.

კომუნისტური ფორმაციის პროგრესი მატერ. წარმოებასა და ახ. ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში მჭიდროდაა დაკავშირებული ახ. ადამიანის აღზრდასთან. კ-ზე გადასვლის პერიოდში მატერ. და სულიერი სიკეთეთა სიუხვის შექმნის პირობებში იმავდროულად წყდება ამოცანა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდისა, რ-შიც ჰარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზ. სრულყოფა. კ-ის მშენებლობის პროცესში ხდება ადამიანის ნიჭისა და უნარის სრული გამოვლინება და

განვითარება, რასაც საზ-ბის ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მშრომელთა ცხოვრების დონის ზრდა, სამუშაო დღის შემცირება, თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება, განათლების, მეცნ., ესთეტ. და ფიზ. სრულყოფის სხვადასხვა საშუალება. მეცნ. მსოფლმხედველობით, კომუნისტური მორალით შეიარაღებული, მაღალი სამეცნ.-ტექ. მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე, სულიერად და ფიზიკურად სრულყოფილი ახ. ადამიანის აღზრდა აჩქარებს კ-ის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნას და კომუნისტურ საზ. ურთიერთობათა ჩამოყალიბებას. ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ამოცანები ასახავს საზ-ბის სოციალიზმიდან კ-ზე გადასვლის სამი მთავარი სფეროს ობიექტურ კანონზომიერებებს და ქმნის კ-ის უმაღლესი ფაზის მშენებლობის გეგმის ძირითად რგოლებს.

კომუნისტური საზ-ბის შექმნის მთავარი და აუცილებელი იარაღია სოციალ. სახელმწიფო. სოციალიზმიდან კ-ზე გადასვლის პერიოდში სახელმწიფოებრიობა ვითარდება დემოკრატიის სრულყოფის, საზ. ორგანიზაციათა როლის ამაღლების, სახელმწ. მმართველობასა და სამეურნეო კულტ. მშენებლობის ხელმძღვანელობაში მშრომელთა აქტ. მონაწილეობის, კონტროლიორებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სახელმწ. აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მასზე სახ. კონტროლის გაძლიერების გზით. კიდევ უფრო იზრდება როლი კომუნისტური პარტიისა, რ-იც ხელმძღვანელობს მასებს კ-ის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. სოციალ. სახელმწიფოებრიობის განვითარებას მოჰყვება მისი გარდაქმნა კომუნისტურ თვითმმართველობად — უკლასო საზ-ბის ეკონ., სოც. და კულტ. პროცესთა მართვის არაპოლიტ., არასახელმწიფოებრივ ფორმად. სახელმწიფო შენარჩუნებული იქნება კ-ის სრულ გამარჯვებამდე და მხოლოდ განვითარებული კ-ის დროს საშინაო და საგარეო პოლიტ. პირობების მომზადების კვალობაზე იგი თანდათან მოკვდება და ადგილს დაუთმობს კომუნისტურ საზ. თვითმმართველობას.

კ. ისეთი საზ-ბაა, სადაც ეკონ., მეცნ., ტექ., კულტ. განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობანი არსებობს. იგი უმაღლესი და უკანასკნელი საზ.-ეკონ. ფორმაციაა, რ-იც უზრუნველყოფს კაცობრიობის პროგრესსა და მუდმივ მშვიდობას დედამიწაზე.

ლიტ.: Маркс К., Энгельс Ф., Ленин В. И., О научном коммунизме, М., 1963; მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954; ტ. 3, თბ., 1959; მისივე, გოთას პროგრამის კრიტიკა, მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, თბ., 1964; ენგელსი ფ., კომუნიზმის პრინციპები, მარქსი, კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ლენინი ვ. ი., ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, თხზ., გამოკ. მე-4, ტ. 31; მისივე, დიადი თაოსნობა, იქვე, ტ. 29; მისივე, ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში, იქვე, ტ. 30; მისივე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, იქვე, ტ. 27; მისივე, სახელმწიფო და რევოლუცია, იქვე, ტ. 25; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; მეცნიერული კომუნიზმის საკითხები, თბ., 1970.

ვ. ბურდული.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საწარმოო ძალების ნივთობრივი ელემენტების (უწინარეს ყოვლისა, შრომის საშუალებებისა და შრომის საგნების) ერთობლიობა, რ-იც შეესაბამება კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, კომუნიზმის პრინციპებს.

ყოველი საზ.-ეკონ. ფორმაცია ქმნის თავის მატერ.-ტექ. ბაზას. ერთი ფორმაციის მატერ.-ტექ. ბაზას ცვლის მეორე ფორმაციის მატერ.-ტექ. ბაზა. ყოველი უფრო პროგრ. წარმოების წესი ვითარდება წინამავალი მატერ.-ტექ. ბაზის საფუძველზე.

მონათმფლობელურ საზ-ბაში მიმდინარეობდა ლითონის შრომის იარაღების სრულყოფა, რაც იმ დროს გადამწყვეტი საშუალება იყო მატერ. დოვლათის საწარმოებლად. მიუხედავად ამისა, მაშინ ტექ. პროგრესის ტემპი ძალზე დაბალი იყო.

ფეოდალიზმის დროს წარმოების საშუალებათა განვითარებაში მიღწეული ერთგვარი პროგრესის მიუხედავად, მისი მატერ.-ტექ. ბაზა მაინც ემყარებოდა მონათმფლობელური საზ-ბის მიერ შექმნილ მატერ.-ტექ. ბაზას. ფეოდალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის საფუძველი იყო ხელით შრომის საშუალებები, შერწყმული პირუტყვის, წყლის, ქარისა და ადამიანის კუნთების ენერგიის გამოყენებასთან. ფეოდალიზმის წიაღშივე ჩაისახა კაპიტალ. წარმოების წესი.

კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში მრეწველობაში მარტივი კოოპერაციისა და მანუფ. ბატონობისას კაპიტალიზმს არ ჰქონდა თავისი შესაბამისი მატერ.-ტექ. ბაზა, რადგან მანუფაქტურამ ვერ შეძლო წარმოების ტექ. საფუძვლის ძირეული გარდაქმნა. ბურჟ. რევოლუციებმა შესაძლებელი გახადა ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობა და კაპიტალიზმის განვითარების პირობების შექმნა. ბურჟ. წარმოებით ურთიერთობათა ბატონობის პერიოდში შეიქმნა კაპიტალიზმის ადეკვატური მატერ.-ტექ. ბაზა მსხვილი მანქანური მრეწვ. სახით.

კაპიტალიზმის მატერ.-ტექ. ბაზა შეიქმნა სამრეწვ. გადატრიალების პროცესში XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში. კაპიტალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის დამახასიათებელი ნიშანია მანქანების წარმოება მანქანებით და განვითარებულ მანქანათა სისტემების გამოყენება.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის განვითარებისას წინაალმდეგობა თანდათან მწვავდება და ღრმავდება. კაპიტალიზმი ქმნის მსხვილ მანქანურ წარმოებას, რითაც ამზადებს რევ. გზით ბურჟ. წყობილების სოციალისტურით შეცვლის მატერ. წანამძღვრებს.

კომუნიზმის პირველი ფაზის — სოციალიზმის — მატერ.-ტექ. ბაზის ნივთობრივი ელემენტები იქმნება კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმი მის საფუძველზე ქმნის და განამტკიცებს თავის საკუთარ მატერ.-ტექ. ბაზას. სოციალ. წარმოებითი ურთიერთობანი მისთვის დამახასიათებელი ეკონ. კანონების შესაბამისად ობიექტურად განაპირობებს თავისი მატერ.-ტექ. ბაზის თვისებრივად ახ. შინაარსსა და ფუნქციებს, რაც სოციალ. წარმოების მიზნით განისაზღვრება.

სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზა იქმნება ინდუსტრიალიზაციისა და სოფ მეურნ. სოციალ. გარდაქმნის პროცესში, როდესაც სახ. მეურნ. ყველა დარგში უფრო და უფრო მეტად ბატონდება მსხვილი მანქანური წარმოება. სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზა არის მსხვილი მანქანური წარმოება, რ-იც ემყარება სახ. მეურნ. ყველა დარგში ელექტრიფიკაციისა და უახლესი სამეცნ.-ტექ. მიღწევების ფართოდ გამოყენებას.

სსრკ-ში სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის განვითარებამ განვლო რიგი ეტაპები: სოციალ. ეკონ. საძირკვლის შექმნა, სოციალიზმის აშენება, განვითარებული სოციალ. საზ-ბის შექმნა. თითოეული ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული, თვისებრივად განსხვავებული ნიშნები.

განვითარებული სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის ნიშნებია გაფართოებული სოციალ. კვლავწარმოების ინტენს. ფაქტორებზე თანდათანობით გადასვლა — უფრო ეფექტური შრომის საშუალებების, შრომის საგნების, ენერგეტ. რესურსების და ზრდადი შრომისნაყოფიერების გამოყენება. განვითარებული სოციალ. საზ-ბის მატერ.-ტექ. ბაზა ხასიათდება სამეცნ.-ტექ. პროგრესის სწრაფი ტემპით, სამეცნ.-ტექ. რევ. ტენდენციების ყოველმხრივი გათვალისწინებით.

კ. მ.-ტ. ბ. საწყისს იღებს განვითარებული სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზიდან. სკკპ პროგრამაში, რ-იც მიიღო პარტიის XXII ყრილობამ (1961), სკკპ და საბჭ. ხალხის მთავარ ეკონ. ამოცანად მიჩნეულია კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნა. ამ ბაზის აშენების გარეშე კომუნიზმი წარმოუდგენელია.

კ. მ.-ტ. ბ-ის საფუძველია მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია, რ-ის გარეშე შეუძლებელია თვითრეგულირებადი ავტომ. მანქანების სისტემათა გამოყენება. თუ სოციალიზმის დროს წარმოების ავტომატიზაციის მხოლოდ ელემენტებია და ზოგიერთ დარგში ხელით შრომა 50% აღწევს, კ. მ.-ტ. ბ-ის მშენებლობის პერიოდში მანქანათა ავტომ. სისტემა გახდება წარმოების გაბატონებული ფორმა. ხელით შრომის გამოყენება მძიმე, შრომატევად და მავნე საწარმოო პროცესებში მოისპობა. მანქანათა ავტომ. სისტემა იმუშავებს მეცნიერულად შემუშავებული ტექნოლ. საფუძველზე. ეს ბაზა ითვალისწინებს საზ. წარმოების ორგანიზაციის სრულყოფილ ფორმებს და მატერ. წარმოების მუშაკთა მაღალ საინჟინრო ტექ. კვალიფიკაციას. იგი უზრუნველყოფს საზ. შრომისნაყოფიერების მკვეთრ გადიდებას.

კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნის გადამწყვეტი ფაქტორია მეცნ. მიღწევათა ფართოდ გამოყენება. კომუნიზმის დროს მეცნიერება გადაიქცევა უშუალო საწარმოო ძალად.

კ. მ.-ტ. ბ-თვის დამახასიათებელია საზ-ბის მთავარი საწარმოო ძალის, ე. ი. წარმოების მუშაკის მაღალი კვალიფიკაცია და კულტურის მაღალი დონე. კომუნიზმის დროს წარმოების მუშაკთა ძირითადი მასა ამაღლდება მრეწველობაში საინჟინრო-ტექ., ხოლო სოფ. მეურნეობაში აგრონ. და ზოოტექ. პერსონალის დონემდე. კ. მ.-ტ. ბ. ხასიათდება აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული საზ. წარმოების რაციონალური ორგანიზაციით, რ-იც უზრუნველყოფს საწარმოო ძალების ყველა ელემენტის უფრო სრულად გამოყენებას და შრომისნაყოფიერების ზრდას.

კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სამრეწვ., ისე საბინაო-კომუნ. კაპიტ. მშენებლობას, რ-თა მოცულობა წლითიწლობით მატულობს.

ჩვენი ქვეყნის სახ. მეურნ. ელექტრიფიკაცია საწარმოო პროცესების კომპლ. მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოების ქიმიზაცია, წარმოების ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა და სხვა ის ძირითადი მიმართულებებია, რ-ებიც განსაზღვრავენ ახ. ტექ. წინსვლას, საფუძველს უმზადებენ კ. მ.-ტ. ბ-ის მშენებლობას.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა კომუნიზმის მშენებლობაში ელექტრიფიკაციის გადამწყვეტ მნიშვნელობას. სწორედ ელექტროენერგია არის სახ. მეურნ. დარგში თანამედროვე ტექ. განვითარების, ტექნოლ. და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველი. ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგეტ. მრეწვ. განვითარებას საფუძველი ჩაუყარა გოელროს გეგმამ, რ-იც დიდი გადაჭარბებით შესრულდა 10 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში (1935-თვის). ამ დროიდან სსრკ-ში, მათ შორის საქართველოშიც, ელექტროენერგიის წარმოება დიდად გაიზარდა.

რევოლუციამდელ საქართველოში ელექტროენერგეტიკა სუსტად იყო განვითარებული. პირველი ჰიდროელექტროსადგური (სიმძლავრე 76 ც. ძ.) აშენდა ბორჯომში 1898. დიდი ხნის მანძილზე რესპ. უმდიდრესი ჰიდრორესურსები გამოუყენებელი იყო. 1921 წ. 14 აპრ. ლენინმა წერილით მიმართა კავკ. კომუნისტებს ქვეყნის



ელექტრიფიკაციისა და ირიგაციის დიდი სამუშაოების დაწყების შესახებ. 1933—65 საქართვ. ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე 25-ჯერ გაიზარდა. 1940 საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება (მლრდ. *კვტ. სთ*-ობით) უდრიდა: 0,7; 1965 — 6,0; 1970 — 9,0; 1975 — 11,6.

კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა საწარმოო პროცესების კომპლ. მექანიზაცია და ავტომატიზაცია. წარმოების პროცესების კომპლ. მექანიზაცია მთლიანად დევნის ხელით შრომას, მკვეთრად ზრდის შრომისნაყოფიერებას და წარმოებას, ამსუბუქებს შრომას, ამაღლებს მშრომელების კულტ.-ტექ. ცოდნის დონეს.

კომპლ. მექანიზაცია წარმოების ავტომატიზაციის წინაპირობაა. კ. მ.-ტ. ბ-ის არსებითი ნიშანია წარმოების პროცესების მომსახურებისა და მართვის კომპლ. ავტომატიზაცია მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ელექტრონიკის გამოყენების საფუძველზე.

კომპლ. მექანიზაცია და ავტომატიზაცია მატერ. საფუძველია კომუნისტურ შრომაში სოციალ. შრომის თანდათანობით გადაზრდისა. ამ სფეროში ჩვენს ქვეყანაში დიდი, ხოლო საბჭ. საქართველოში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. საქართველოში 1966—70 შეიქმნა 325 დასახელების ახ. ტიპის მანქანის, მოწყობილობის, აპარატის, ხელსაწყოსა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნიმუში, 1971—75 წლებში—281. საქართვ. მრეწველობაში 1965 იყო 628 მექანიზებული ნაკადური ხაზი, 62 —ავტომ. ხაზი, 1975 კი შესაბამისად —1879 და 208. კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმო და საამქრო იყო 1965—97, 1975 — 142.

კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნაში უდიდეს როლს თამაშობს სახ. მეურნ. ქიმიზაცია. იგი საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოვიყენოთ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები. ქიმ. მეთოდები აუმჯობესებს წარმოების ტექნოლოგიას, აჩქარებს საწარმოო პროცესებს, ნედლეულის უფრო რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. ქმნის ნედლეულისა და მასალის ახ. სახეობებს, ზოგავს შრომას, ენერგიას, მასალას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

სსრკ-ში ქიმ. მრეწვ. სწრაფი ტემპით ვითარდება. 1965-თან შედარებით ამ დარგის წარმოების მოცულობა 1970 გაიზარდა 190%-ით, ხოლო 1975 — 320%-ით.

კ. მ.-ტ. ბ-ის მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას, რ-ის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია წარმოების განსაზოგადოების მაღალი დონე. წარმოების განსაზოგადოების პროცესის შედეგია საწარმოების გამსხვილება, ე. ი. წარმოების კონცენტრაციის დონის ზრდა, საწარმოებსა და დარგებს შორის შრომის დანაწილების ამაღლება. ე. ი. წარმოების სპეციალიზაცია, კოოპერირება, კომბინირება და სხვ. კ. მ.-ტ. ბ-ის შექმნა ითვალისწინებს მეცნ. განვითარებას, მის უშუალო კავშირს წარმოებასთან.

წყარო იხ. სტ-თან კომუნიზმი.

ლიტ.: გოშაძე გ., სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიური კანონზომიერებანი, თბ., 1970; მიქელაძე ი., კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თბ., 1962; Марксизм-ленинизм о материально-технической базе коммунизма, М., 1963; Материально-техническая база стран социализма, М., 1967; Толкачев А. С., Экономические проблемы материально-технической базы коммунизма в СССР, М., 1971. *გ. გოშაძე.*

კომუნიზმის ორი ფაზა, *იხ. სოციალიზმი* და *კომუნიზმი.*

კომუნიზმის პიკი (1962-მდე — სტალინის პიკი), უმაღლესი მწვერვალი სსრკ-ში. სიმაღლე 7495 *მ.* აღმართულია მეცნიერებათა აკადემიისა და პეტრე I-ის ქედების შეერთების ადგილზე პამირში. კალთები მეტწილად დაფარულია ფირნისა და ყინულის სქელი საფრით. 1933 კ. პ-ზე პირველი ავიდა საბჭოთა ალპინისტი ე. აბალაკოვი.

კომუნიკაცია, ურთიერთობა, განისაზღვრება როგორც ადამიანის მიერ ადამიანისათვის „ინფორმაციის გადაცემა". ხორციელდება ყოველგვარი საქმიანობის პროცესში მეტყველების ან სხვა ისეთი აქტების მეშვეობით, რ-ებიც ნიშნებს იყენებს. ცხოველები კ-ისას იყენებენ არა ბგერით, არამედ უფრო მარტივ—სასიგნალო საშუალებებს.

კომუნიკე (ფრანგ. communiqué), ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა თუ შედეგების, საერთაშორისო შეთანხმების, ქვეყნის საშინაო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების (მაგ., კონფერენციის, თათბირის), საომარ ოპერაციათა მსვლელობისა და სხვ. შესახებ. კ. შეიძლება იყოს ცალმხრივი აქტი ან საერთაშ. მოლაპარაკების მონაწილეთა ერთობლივი განცხადება. თუ კ-ში მოლაპარაკების შესახებ მიღწეული შეთანხმება ტექსტუალურადაა გადმოცემული და მას სხვა ოფიც. ფორმა არა აქვს, მაშინ იგი განიხილება როგორც საერთაშ. ხელშეკრულება.

„კომუნისტ" („Komunist"), ყოველდღიური გაზეთი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ორგანო; დაარსდა 1925, გამოდის ბელგრადში სერბ.-ხორვ., ალბ., უნგრ., სლოვ. და მაკედ. ენებზე. ტირაჟი 400 ათ. ც. (1980).

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი სსრკ კავშირში, კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კავშირი უპარტიო მშრომელებთან. გამოხატავს საბჭ. საზ-ბის მორალურ-პოლიტ. ერთობის ურყეობას. კ. და უ. ბ-ის ლოზუნგს წამოაყენებენ ხოლმე საბჭოების არჩევნების კამპანიის დროს. სსრკ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ საკ. კპ (ბ) ცკ-მა 1937 წ. 7 დეკ. „პრავდაში" გამოაქვეყნა მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი, სადაც ნათქვამი იყო, რომ კომუნისტური პარტია არჩევნებზე მიდის უპარტიოებთან ერთად ბლოკში. მრავალწლიანი ბრძოლის, 3 რევოლუციისა და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილებამ მშრომელები დაარწმუნა, რომ კომუნისტებს არა აქვთ სხვა ინტერესები, თუ არა ხალხის ინტერესები. არჩევნების დროს საბჭ. ხალხი გამოხატავს თავის ნდობას კომუნისტური პარტიისა და საბჭ. მთავრობისადმი. სსრკ ორივე პალატაში სსრკ-ის 61 ეროვნებისა და ხალხის წარმომადგენელია, რაც ყველაზე მკაფიო სურათია კ. და უ. ბ-ისა სსრკ-ში.

კომუნისტების კელნის პროცესი 1852, პროვოკაციული პროცესი *კომუნისტთა კავშირის* მოღვაწეების მიმართ, რ-თაც ბრალი დასდეს პრუსიის მთავრობის წინააღმდეგ „შეთქმულებაში". კ. კ. პ. გერმანიის 1848—49 რევ. დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქციის გამოხატულება იყო. მიმდინარეობდა ქ. კელნში 1852 წ. 4 ოქტ-იდან 12 ნოემბ-მდე. სასამართლოს გადასცეს კომუნისტთა კავშირის 11 მოღვაწე. პროცესის ორგანიზატორი პოლიციის მრჩეველი შტიბერი და სხვ. ცდილობდნენ ბრალდებულთა წინააღმდეგ გამოეყენებინათ ფალსიფიცირებული მასალა. ბრალდებულთა დაცვას ლონდონიდან ხელმძღვანელობდა კ. მარქსი. 7 კაცს მიესაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით. სასამართლო იძულებული იყო 4 ბრალდებული გაემართლებინა.

ლიტ.: Михайлов М. И., История Союза коммунистов, М., 1968.

კომუნისტთა კავშირი (1847—52), ისტორიაში პირველი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია. შეიქმნა 1847 ძირეულად გარდაქმნილი *„სამართლიანთა კავშირის"* ბაზაზე. კ. კ-ის შემქმნელები და ხელმძღვანელები კ. მარქსი და ფ. ენგელსი გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ მუშათა მოძრაობაში გაბატონებული უტოპიური სოციალიზმის იდეების, სექტანტობის წინააღმდეგ, ბურჟ. გავლენისაგან მუშათა კლასის გასათავისუფლებლად. მოწინავე მუშათა შორის ნერგავდნენ მეცნ. კომუნიზმის იდეებს. კ. კ-ის წესდების პროექტი შეიმუშავა კავშირის I კონგრესმა (1847 ივნ., ლონდონი), დაამტკიცა II კონგრესმა (1847 წ. 29 ნოემბ. — 8 დეკ., ლონდონი). მიზნად ისახავდა ბურჟუაზიის დამხობას, პროლეტ. ბატონობის დამყარებასა და ისეთი ახ. უკლასო საზ-ბის შექმნას, სადაც არ იქნებოდა კერძო საკუთრება. კ. კ-ის დევიზი იყო ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", პროგრამა — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". კ. კ. დემოკრატიზმისა და ცენტრალიზმის პრინციპებზე იყო აგებული. მისი მთავარი საყრდენი პუნქტები იყო ლონდონში, პარიზში, ბრიუსელსა და შვეიცარიაში. კ. კ-მა უდიდესი როლი ითამაშა საერთაშ. მუშათა მოძრაობის ისტორიაში. იგი იყო I ინტერნაციონალის უშუალო წინამორბედი.

ლიტ.: Кандель Е. П., Маркс и Энгельс—организаторы Союза коммунистов. М., 1953.

„კომუნისტი", ყოველდღიური გაზეთი, საქ. კპ ცკ-ის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წ. 3 ივნ. თბილისში როგორც საქ. კპ ცენტრ. და თბილ. კომიტეტების ორგანო. 10 ნომრის გამოცემის შემდეგ გაზეთი დაიხურა თბილ. გენერალგუბერნატორის განკარგულებით. მენშევიკური მთავრობის დროს გაზეთი გამოდიოდა „საქართველოს კომუნისტის" (25 ნომერი) და „ახალი კომუნისტის" (21 ნომერი) სახელწოდებით. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წ. 2 მარტიდან კვლავ „კ-ის" სახელწოდებით გამოდის.

„კ." განუხრელად აგრძელებს ლენინური პრესის სახელოვან ტრადიციებს; ფართოდ ასახავს საქ. სსრ ისტ. ყველა მნიშვნელოვან პერიოდს, იბრძვის სკკპ-ისა და საბჭ. მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. აშუქებს პოლიტ., ეკონ., მრეწვ., სოფ. მეურნ., ლიტ-რის, ხელოვნ., განათლებისა და სხვა საკითხებს. გაზეთს ჰქონდა დამატებები — ჟურნალები „ჩირაღდანი" (1923—25), „მეცნიერება და ტექნიკა" (1925—26), „დროშა" (1929—34), გაზ. „სოფლის მეურნეობა" (1958). სხვადასხვა დროს „კ-ის" რედაქტორები იყვნენ ი. (მამია) ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, ა. ქურიძე (ს. ეული), ვ. სუხიშვილი, ა. თუმანოვი, ვ. ბახტაძე, გ. მუშიშვილი (გ. ხოფერია), ნ. კიკნაძე, დ. მჭედლიშვილი; 1979-იდან —გ. ბედინეიშვილი. 1950 დაარსების 30 წლისთავთან დაკავშირებით „კ" დაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ტირაჟი 700 ათ. ცალი (1980).

დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტური აკადემია, უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (1918-36). დაარსდა მოსკოვში რსფსრ ცაკის 1918 წ. 25 ივნ. დეკრეტით და ეწოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალ. აკადემია. გაიხსნა 1918 წ. 1 ოქტ.; სრულიად რუს. ცაკის 1919 წ. 15 აპრ. დებულებით ეწოდა სოციალ. აკადემია. 1924 წ. 17 აპრილიდან ეწოდებოდა კ. ა. კ. ა-ის მეცნ. ამოცანა იყო ისტ., სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხების განხილვა და დამუშავება, სოციალიზმის მეცნიერი მოღვაწეების და სოციალ. მშენებლობის პასუხისმგებელი მუშაკების მომზადება. 1926 წ. 26 ნოემბ. სსრკ ცაკ-მა დაამტკიცა კ. ა-ის დებულება. 1929 დეკ. ცალკე გამოეყო კ. ა-ის ლენინგრადის განყ-ბა. კ. ა-ში გაერთიანდნენ ფილოს., ისტ., ლიტ-რის, ხელოვნებისა და ენის საბჭ. მშენებ-

ლობისა და სამართლის და სხვ. სამეცნ. ინ-ტები. რეორგანიზაციის შემდეგ (1932) ჰ. ა. ძირითადად შემოიფარგლა სოციალ. მშენებლობისა და მშვიდობიანი მეურნ. ძირითადი პრობლემების დამუშავებით. 1922-იდან გამოდიოდა ჰ. ა-ის პერიოდული ორგანო „Вестник Социалистической академии" (1924—35—„Вестник Коммунистической академии"). ჰ. ა. წლების განმავლობაში საზ. მეცნიერების წამყვანი ცენტრი იყო. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბურჟ. იდეოლოგიასთან ბრძოლაში. მეცნ. მოღვაწეების ერთ სახელმწ. სამეცნ. ცენტრში — სსრკ მეცნ. აკადემიაში გაერთიანების მიზნით, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1936 წ. 8 თებ. გადაწყვეტილებით ჰ. ა. გაუქმდა.

კომუნისტური აღზრდა, ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების გეგმაზომიერი, მიზანმიმართული და სისტემატური ჩამოყალიბების პროცესი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში, მეცნ. კომუნიზმის თეორიის შემადგენელი ნაწილი.

მარქსიზმის აღმოცენებამდე არ არსებობდა ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდის ერთიანი მწყობრი მეცნ. თეორია, თუმცა ჯერ კიდევ ანტ. საბერძნეთის მოაზროვნეები აყენებდნენ საკითხს ადამიანის გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტ. და ფიზ. აღზრდისა და მათი ერთობლიობის შესახებ. ადამიანის ყოველმხრივი აღზრდის პრობლემა იდგა *რენესანსის* ეპოქაშიც. სოციალისტ-უტოპისტებმა წამოაყენეს არაერთი საყურადღებო იდეა საზ. აღზრდის შესახებ; მათ პირველებმა მოუწოდეს ურელიგიო აღზრდისაკენ და მოითხოვეს საყოველთაო თანასწორუფლებიანი, უფასო და საერო განათლება. მაგრამ ვერ ხედავდნენ რა კომუნისტური საზ-ბის აღმოცენების ობიექტურ კანონზომიერებებს, მათ ვერ შეძლეს დაესახათ ახ. ადამიანის ჩამოყალიბების ფორმირების სწორი გზაც.

ჰ. ა-ის თეორიის მეცნ. საფუძვლები დაამუშავეს კ. მარქსმა, ფ. ენგელსმა, ვ. ი. ლენინმა. მათ გამოამჟღავნეს აღზრდის სოც. ბუნება და მისი კლასობრივ-ისტ. ხასიათი, უჩვენეს, რომ ადამიანის არსია ამ საზ. ურთიერთობათა ერთობლიობა, რ-შიც იგი ექცევა დაბადებისას და რ-საც შემდეგში ითვისებს საზოგადოებრივ-გარდამქმნელი საქმიანობის პროცესში. ამ პროცესში ყალიბდება ადამიანის პიროვნება, თვით აღმზრდელიც კი მხოლოდ საზ.-რევ. პრაქტიკაში შეიძლება აღიზარდოს. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამანადგურებლად გააკრიტიკეს აღზრდის ბურჟ. სისტემა და ამხილეს მისი კლასობრივი არსი; სოც.-ისტ. განვითარების კანონზომიერებათა და საზ. მოთხოვნილებათა ანალიზის საფუძველზე კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ჩამოაყალიბეს ჰ. ა-ის მიზანი: საზ-ბის ყოველი წევრის სულიერი და ფიზ. ძალების ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება. ვ. ი ლენინმა შემდგომ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრება ჰ. ა-ის შესახებ. ის წერდა, რომ კომუნისტური საზ-ბის აშენება მიგვიყვანს „...ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებამდე" (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 44, გვ. 231). ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კომუნისტური საზ-ბის მშენებლობისათვის ახალგაზრდობას სჭირდება სწავლა და იმ ცოდნის ათვისება, რ-იც კაცობრიობამ შეიმუშავა თავისი ისტ. განვითარების მანძილზე. ამასთანავე პიროვნება უნდა იზრდებოდეს კომუნისტური ორგანიზებულობის სულისკვეთებით, უნდა შეეძლოს თავისი ინტერესების დამორჩილება კოლექტივის ინტერესებისადმი.

ჰ. ა-ის შემადგენელი ნაწილებია: *გონებრივი აღზრდა,* ზნეობრივი აღზრდა, *ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა, შრომითი პოლიტექნიკური აღზრდა, თვითაღზრდა.*

ჰ. ა-ის მთელი არსის გამსჭვალავი ამოცანაა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. სკკპ პროგრამაში ჩამოყალიბებულია კომუნიზმის მშენებელთა მორალური კოდექსი, რაც ზნეობრივი აღზრდის სახელმძღვანელო პროგრამას წარმოადგენს. ჰ ა-ის ძირითადი მეთოდია დარწმუნების მეთოდი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იძულების ზომებს საზ. და შრომითი დისციპლინის დამრღვევთა, სოციალ. საკუთრების გამნიავებელთა და სხვა ანტისაზ. ელემენტებისადმი. ჰ. ა-ის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ენიჭება თვითაღზრდას.

სსრკ ყველა სახელმწ. და საზ. ორგანიზაცია ეწევა მუდმივ კულტ.-საგანმ. მუშაობას ახ. ადამიანის ჩამოყალიბების ხელისშეწყობის მიზნით. კომუნისტური საზ-ბის მშენებლობის და ჰ ა-ის მთელი საქმის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა სკკპ.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., О воспитании и образовании [Сб.], М., 1957; Ленин В. И., О воспитании и образовании. [Сб], М., 1968; Макаренко А. С., О коммунистическом воспитании. Соч., т 5, М., 1958. სკკპ პროგრამა, თბ., 1961.

„კომუნისტური აღზრდისათვის", საქართველოს განსახკომის ყოველთვიური პედაგოგიურ-მეთოდური ჟურნალი. გამოდიოდა 1932—41 თბილისში. ჟურნალს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. იხ. ჟურნ. *„სკოლა და ცხოვრება"*

კომუნისტური აღზრდის აკადემია ნ. კრუპსკაიას სახელობისა, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლო დაწესებულება (1923—35). შეიქმნა მოსკოვში 1919 დაარსებული სოციალ. აღზრდის აკადემიის ბაზაზე. აკადემიაში ასწავლიდნენ ნ. კრუპსკაია, პ. ბლონსკი და სხვ. 1934 ჰ. ა. ა. გადაიტანეს ლენინგრადში, 1935 იგი გადაკეთდა ნ. კრუპსკაიას სახ. კომუნისტურ პედ. ინ-ტად, რ-იც 1941 შეუერთდა ლენინგრ. ა. გერცენის სახ. პედ. ინ-ტს.

კომუნისტური ბატალიონები, ნებაყოფლობითი სამხედრო ფორმირებანი, სახალხო ლაშქრის, ერთ-ერთი ფორმა დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. იქმნებოდა სკკპ საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების ინიციატივით მხოლოდ მოზალიეთაგან, რ-ებიც არ ექვემდებარებოდნენ გაწვევას (კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები მუშები, მოსამსახურეები, მეცნიერები, მოსწავლეები). ჰ. ბ. ყალიბდებოდა უშუალოდ ქ-ებისა და სამრეწვ. ცენტრების დასაცავად. მის ძირითად ნაწილს კომუნისტები და კომკავშირელები შეადგენდნენ. საბრძოლო ხელმძღვანელობას უწევდა ფრონტის ამა თუ იმ უბნის სარდლობა. ისინი დამოუკიდებლად დიღმანს არ რჩებოდნენ და, როგორც წესი, მოქმედ წითელ არმიას უერთდებოდნენ. იხ. აგრეთვე სტ. *სახალხო ლაშქარი დიდ სამამულო ომში.*

„კომუნისტური განათლება", 1. სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის, საქ. განსახკომის და ავტონ. რესპუბლიკების განსახკომთა (1924-იდან აგრეთვე „სოცკულტურის" საზ-ბის) ხუთდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1932—38, თბილისში, როგორც გაზ. „განათლების მუშაკის" გაგრძელება. ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია.

2. საქართვ. პოლიტ. განათლების მთავარმმართველობის ორგანო; გამოვიდა 1923 (მხოლოდ 1 ნომერი) თბილისში. რედ. — გ. ხაჭაპურიძე.

კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირები, სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის იდეურ-პოლიტიკური კავშირისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის ფორმა, რ-იც ფართოდ გავრცელდა 50-იანი წწ. ბოლოდან კომინტერნის დათხოვნისა (1943) და საინფორმაციო ბიუროს გაუქმების (1956) შემდეგ. კონტაქტი და კავშირი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შორის ხორციელდება 4 მთავარი მიმართულებით: საერთაშ. თათბირები; რეგიონალური შეხვედრები; ორმხრივი მოლაპარაკებანი; სხვადასხვა ქვეყნის მარქსისტების თეორ. კონფერენციები და სიმპოზიუმები. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირებს; 1957 ნოემბ. მოსკოვში გამართულმა თათბირმა (მონაწილეობდა 64 პარტია) განიხილა თანამედროვე საერთაშ. მდგომარეობის აქტუალური საკითხები. 1960 ნოემბ. მოსკოვში გამართულ თათბირზე (მონაწილეობდა 81 პარტია) მოხდა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, იმსჯველეს თანამედროვე საერთაშ. განვითარებისა და კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. 1969 ივნ. მოსკოვში ჩატარდა თათბირი (მონაწილეობდა 75 პარტია). რ-მაც განიხილა თანამედროვე ეტაპზე ანტიიმპერიალ. ბრძოლის ამოცანები და კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის განმტკიცების საკითხი. ამ თათბირებმა მიიღეს და გამოაქვეყნეს შემდგომი დოკუმენტები: „მშვიდობის მანიფესტი" (1957), „მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი" (1960), „მოწოდება მშვიდობის დასაცავად", „მიმართვა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ", „მოწოდება – „დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ვიეტნამს" (1969) და სხვ. მათში გადმოცემულია მშვიდობისათვის ბრძოლის კონკრ. ამოცანები, ასახულია ვიეტნ. ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის და გამოთქმულია პროტესტი ამერ. იმპერიალიზმის დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ ვიეტნამში, დადასტურებულია ლენინიზმისადმი კომუნისტების ურყევი ერთგულება, ხაზგასმულია მისი საერთაშ. მნიშვნელობა.

აღნიშნული საერთაშ. თათბირების მიერ მიღებულ პროგრამულ დოკუმენტებში [განცხადება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა (1960), „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების მოელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა" (1969); აგრეთვე, დეკლარაცია სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირისა (1957)] კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა შემდგომ განავითარეს მარქსისტულ-ლენინური თეორია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ამ დოკუმენტებში მოძმე პარტიებმა განსაზღვრეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენ. ხაზი და მისი განხორციელების შესაძლებლობანი, შეიმუშავეს მოძმე პარტიებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ფორმები ახ. ისტ. პირობების შესაბამისად. საერთაშ. თათბირების დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობის პრინციპები. მ. შ. უმთავრესი: მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება; იდეური ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის ბაზაზე; პროლეტ. ინტერნაციონალიზმი; კომუნისტური მოძრაობის ყოველმხრივი შემჭიდროვებისათვის ზრუნვა; საერთო მიზნებისათვის ერთობლივი ბრძოლის შეთანხმება; თითოეული კომპარტიის მიერ იმ ერთობლივად შემუშავებული შეფასებებისა და დასკვნების დაცვა, რ-ებიც შეეხება იმპერიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნ. დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს; მარქსისტულ-ლენინური პარტიების დამოუკიდებლობა და თანასწორუფლებიანობა (ყოველმა პარ-

ტიამ პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს თავისი ქვეყნის კონკრ. პირობების შესაბამისად, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე. იგი პასუხისმგებელია თავისი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელების წინაშე, საერთაშ. მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე); პარტ. მშენებლობის და პარტ. ცხოვრების ლენინური ნორმების მტკიცედ დაცვა; შეურიგებელი ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ, რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ; კომუნისტური მოძრაობის რიგებში ფრაქციული მოღვაწეობის დაუშვებლობა; კომუნისტურ პარტიებს შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტა კონსულტაციებისა და ამხანაგური შეხვედრების მეშვეობით. კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის დაცვა და განმტკიცება მომმე პარტიების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. 1960 თათბირის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის მტკიცედ დაცვა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, ყოველი ისეთი მოქმედების დაუშვებლობა, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ამ ერთიანობას, წარმოადგენს გამარჯვების აუცილებელ პირობას ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში" („მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები", თბ., 1961, გვ. 83). მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემჭიდროებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია 1969 მოსკ. საერთაშ. თათბირმა, რ-მაც დასახა ანტიიმპერიალ. ძალების შეკავშირების საბრძოლო პროგრამა და მისი განხორციელების გადამწყვეტ პირობად წინა პლანზე წამოსწია კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების ამოცანა. „მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება, თავისი ხალხის ინტერესებისადმი, სოციალიზმის საერთო საქმისადმი თაყდადებული და ერთგული სამსახური, — ხაზგასმულია თათბირის საპროგრამო დოკუმენტში, — კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანი მოქმედების ეფექტიანობისა და სწორი ორიენტაციის აუცილებელი პირობაა, თავიანთი ისტორიული მიზნის მიღწევაში წარმატების საწინდარია" („კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები", თბ., 1969, გვ. 55). ანტიიმპერიალ. ბრძოლის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა 45 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა ბუდაპეშტში 1970 სექტ. კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის ბერლინის კონფერენციამ (1976 ივნ.). მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთაშ. თათბირების ისტ. მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ მეცნიერულად გააანალიზეს ჩვენი დროის ძირეული პრობლემები, შეიმუშავეს და გამოაცხადეს კომუნისტთა კონკრ. ინტერნაც. ამოცანები იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნ. დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე.

რეგულარულად ტარდება სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირები. სოციალ. სისტემა წამყვან როლს თამაშობს მსოფლიო რევ. პროცესში. ამასთან, სისტემათა ბრძოლაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალიზმის შესაძლებლობათა გამოყენება, მისი ეკონ. და სოც.-პოლიტ. ორგანიზაციის უპირატესობათა გამოვლინება. სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წინაშე წარმოიშვებიან ახ. საზ-ბის ზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რ-თა გადაჭრელადაც საჭირო ხდება მათი წარმომადგენლების თათბირების ჩატარება. 1957—76 სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების 28 თათბირი ჩატარდა. 1957 ნოემბ. მოსკოვში გაიმართა სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა პირველი თათბირი, რ-შიც მონაწილეობდნენ ალბ., ბულგ., უნგრ., გდრ-ის, ვიეტ. დრ-ის ჩინ. სდრ-ის, მონღ. სრ-ის, პოლ., რუმ., სსრკ-ის, ჩეხოსლ. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. განხილულ იქნა საერთაშ. მდგომარეობის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის აქტუალური პრობლემები, კომუნისტურ პარტიებს შორის ურთიერთობის საკითხები. ამ თათბირების მიერ მიღებული დეკლარაცია საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენს. 6-ჯერ შეიკრიბნენ ეკონ. ურთიერთდახმარების საბჭოს (ეუს) ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები. 1958 მაისში მოსკოვში გამართულმა თათბირმა (მოწვეევით მონაწილეობდნენ ვიეტ. დრ-ის, ჩინ., კორ. სდრ-ის, მონღ. სრ. წარმომადგენლებიც) შეიმუშავა პრინციპული მითითებანი ეუს-ს ქვეყნებში სახ. მეურნ. განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენის საკითხებზე; 1962 ივნ. მოსკ. თათბირმა (60-იანი წწ. დასაწყისიდან ალბ. შრომის პარტიამ და ჩინ. კომპარტიამ უარი თქვეს სოციალ. სახელმწიფოთა კომუნისტური პარტიების ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობაზე) მიიღო გადაწყვეტილება სოციალ. ქვეყნების მჭიდრო ეკონ. და მეცნ.-ტექ. თანამშრომლობის, შრომის საერთაშ. სოციალ. დანაწილების გაფართოებისა და სწორი ფორმირების საკითხებზე. ამ თათბირის გადაწყვეტილებათა შესრულების მსვლელობა და ეუს-ს მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი განიხილეს მოსკოვში 1963 ივლ. ჩატარებულ თათბირზე ეუს-ს ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცკ-ის პირველმა მდივნებმა და მთავრობათა მეთაურებმა; 1966 ივლ. ბუქარესტის თათბირზე ეუს-ს ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს თავიანთი მისწრაფება ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისაკენ სრული თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნ. ინტერესების პატივისცემის, ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპების საფუძველზე; მოსკ. 1975 სექტ. და ოქტ. თათბირებზე ეუს-ს ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცკ-ის მდივნებმა და მთავრობათა მეთაურების მოადგილეებმა განიხილეს ამ ქვეყნების ეკონ. და მეცნ.-ტექ. თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის ამოცანები. სოციალ. ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა თავის თათბირებზე განიხილეს სოციალ. სახელმწ. პოლიტ. და ეკონ. განვითარებისა და თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრობლემები, ურთიერთშორის ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საკითხები; იდეოლოგიური თანამშრომლობისა და პარტიული მშენებლობის მნიშვნელოვანი საკითხები, სოციალ. და კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემები. თათბირებზე ადგილი ჰქონდა ინფორმაციათა გაცვლას მონაწილე სახელმწიფოების განვითარებისა და მათი კომუნისტური პარტიების მოღვაწეობის შესახებ, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და ა. შ. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსკ. 1960 თებ. თათბირზე (მონაწილეობდნენ კორ. სდრ, მონღ. სრ წარმომადგენლები. თათბირს არ დაესწრნენ იუგოსლ. წარმომადგენლები); 1968 მარტის დრეზდენის თათბირზე (ესწრებოდნენ ბულგ., უნგრ., გდრ, პოლ., სსრკ, ჩეხოსლ. წარმომადგენლები); 1968 ბრატისლავის თათბირზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია); 1970 თებ. სოფიის თათბირზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია), რ-ის მონაწილეებმა ერთმანეთს ინფორმაცია მიაწოდეს აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ; კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, მონღ. სრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) ყირიმში 1972 ივლ.; ასეთივე შეხვედრაზე ყირიმში 1973 ივლ.; კომუნისტური და მუშათა პარტიების ცკ-ის მდივნების მოსკ. თათბირზე 1973 დეკ. (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, კუბა, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია); ასეთივე თათბირებზე მოსკოვში 1974 იანვ. და პრაღაში 1975 მარტში; პოლ. გაერთ. მუშათა პარტიის VII ყრილობის მუშაობაში მონაწილე კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, მონღოლეთი, პოლონეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) ვარშავაში 1975 დეკ-ში; კომუნისტური და მუშათა პარტიების ცკ-ის მდივნების თათბირზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, კუბა, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) ვარშავაში 1976 იანვარში. სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ყურადღების ცენტრშია მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალური პრობლემები. ეს საკითხები განიხილეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრაზე მოსკოვში 1968 მაისში; სოციალ. ქვეყნების (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, სსრკ) კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელების შეხვედრაზე ვარშავაში 1968 ივლ. სოციალ. ქვეყნების (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, მონღოლეთი, პოლონეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ყირიმში 1971 აგვისტოში; სოციალ. ქვეყნების (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ბუდაპეშტში 1975 მარტში. სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დიდ ყურადღებას აქცევენ საგარეო პოლიტიკისა და საერთაშ. მდგომარეობის აქტუალურ საკითხებს, მშვიდობისა და საერთაშ. უშიშრობის განმტკიცებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. ეს საკითხები განიხილეს სოციალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრაზე (იუგოსლ. კომუნისტთა კავშირი არ ყოფილა წარმოდგენილი) 1960 ივნ. ბუქარესტში (მისმა მონაწილეებმა დაადასტურეს თავისი ერთგულება 1957 თათბირზე მიღებული დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის პრინციპებისადმი); სოციალ. ქვეყნების პარტ. და სახელმწ. ხელმძღვანელი მოღვაწეების (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, კუბა, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) თათბირზე 1966 ოქტ. მოსკოვში; 1967 ივნ. თათბირზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია) მოსკოვში (თათბირის მონაწილეებმა განიხილეს მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და მიიღეს განცხადება, რ-შიც დაგმეს ისრაელის აგრესია არაბ. ქვეყნების წინააღმდეგ, მოითხოვეს ისრაელის საომარ მოქმედებათა შეწყვეტა და მისი ჯარების გაყვანა დაპყრობილი ტერიტორიიდან); 1967 ივლ. თათბირზე

(ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია) ბუდაპეშტში (თათბირმა მკაცრად დაგმო ისრაელის დამპყრობლური პოლიტიკა, აღნიშნა აშშ-ის რეაქციული წრეების ანტიარაბ. მოქმედება და გამოაცხადა თათბირის მონაწილეთა მზადყოფნა ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება გაუწიონ არაბ ხალხს). 1968 მაისის თათბირზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, სსრკ) მოსკოვში; 1968 ივლ. შეხვედრაზე ვარშავაში (განიხილეს ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარებაც); 1969 დეკ. შეხვედრაზე (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია) მოსკოვში (მონაწილეებმა გამოაქვეყნეს განცხადება „ბოლო მოეღოს აგრესიას ვიეტნამში"); 1971 აგვ. შეხვედრაზე ყირიმში (მონაწილეებმა აღნიშნეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის დიდი მნიშვნელობა, კიდევ ერთხელ განაცხადეს აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ინდოჩინელი და არაბი ხალხების მხარდაჭერის შესახებ); 1973 ივლ. შეხვედრაზე ყირიმში (აღინიშნა სოციალ. თანამეგობრობის სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წარმატებანი, რაც გამოიხატა ვიეტნამის ომის შეწყვეტაში, გდრ-ის სრულ საერთაშ. სამართლებრივ აღიარებაში, კუბის საერთაშ. პოზიციების განმტკიცებაში, ევრ. უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე თათბირის მუშაობის დაწყებაში და სხვ.); 1975 მარტის შეხვედრაზე ბუდაპეშტში (მონაწილეებმა იმსჯელეს გერმ. ფაშიზმის განადგურების 30 წლისთავთან დაკავშირებულ საკითხებზე); 1975 დეკ. შეხვედრაზე ვარშავაში (მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ევრ. უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკიში ხელმოწერილი საბოლოო აქტის პრინციპებისა და დებულებების განხორციელების გზებს). 1976 წ. 4 მარტს მოსკოვში მოეწყო სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში მონაწილე დელეგაციათა (ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, ვიეტ. დრ, კუბა, მონღ. სრ, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია) ხელმძღვანელების შეხვედრა სკკპ ცკ-ის გენ. მდივანთან ლ. ბრეჟნევთან, სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან, სკკპ ცკ-ის მდივნებთან.

სისტემატურად იკრიბებიან თათბირებზე ევროპის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები. საერთაშ. მდგომარეობის, ევრ. კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საკითხები, ახალგაზრდობასთან მუშაობის პრობლემები, ევრ. ქვეყნების ეკონ. თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს ევრ. სოციალ. და კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა 1958 ივნ ბერლინის კონფერენციაზე; 1967 აპრილში კარლოვი-ვარის კონფერენციაზე (25 პარტიის წარმომადგენლებმა მიიღეს განცხადება „მშვიდობისა და უშიშროებისათვის ევროპაში", რ-იც მოცემულია საერთაშ. ვითარების ანალიზი, მითითებულია ომის საშიშროების წყაროები, დასახულია მშვიდობისათვის ბრძოლის ვრცელი პროგრამა); 1970 იანვ. და ოქტ. მოსკ. შეხვედრებზე; 1972 ივლ. პარიზის კონფერენციაზე; 1973 თებ. მოსკ. შეხვედრაზე (27 პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს ევრ. უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მოძრაობაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის უფრო ფართო მონაწილეობის შესახებ); 1974 ოქტ. ვარშავაში და დეკ. ბუდაპეშტის შეხვედრებზე; 1975 აპრილში რომის შეხვედრაზე; 1976 ივნისში ბერლინის კონფერენციაზე (29 პარტიის წარმომადგენლებმა იმსჯელეს ევროპაში მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოც. პროგრესისათვის ბრძოლის საკითხებზე. მათ გამოთქვეს მტკიცე გადაწყვეტილება, თანმიმდევრულად იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოც. პროგრესისათვის, რაც პასუხობს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის, დემოკრ. ძალებისა და ხალხთა მასების საერთო ინტერესებს). ევრ. კაპიტალ. ქვეყნებში ინტელიგენციის, ქალების, უცხოელი მუშების მდგომარეობის, მუშათა კლასისა და ხალხთა მასების ბრძოლის შინაარსისა და ახ. ფორმების, მშრომელთა ინტერესების დაცვის, მშვიდობის, დემოკრატიის განვითარებისა და დაცვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლის, მუშათა კლასის ერთიანობის, ევრ. უშიშროების, განიარაღების, სავალუტო კრიზისის, სოფ. მეურნ. მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სხვ. საკითხები განიხილეს ევრ. კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა 1959 აპრილში ბრიუსელის თათბირზე; 1959 ნოემბ-ში რომის შეხვედრაზე; 1963 მარტში ბრიუსელის შეხვედრაზე; 1964 დეკ-ში ოსტენდის (ბელგია) შეხვედრაზე; 1965 ივნისში ბრიუსელის თათბირზე; 1966 მაისში ვენის თათბირზე; 1970 მაისში პარიზის თათბირზე (მონაწილეებმა იმსჯელეს კამპუჩიისა და ლაოსის წინააღმდეგ აშშ-ის აგრესიის შედეგად ინდოჩინეთში შექმნილ მდგომარეობაზე და მიიღეს გადაწყვეტილება აგრესიის მსხვერპლისადმი დახმარების გაძლიერების შესახებ); 1970 სექტ-ში ლონდონის შეხვედრაზე; 1971 იანვარში ლონდონის კონფერენციაზე (მონაწილეებმა განიხილეს ევრ. კაპიტალ. ქვეყნების მუშათა კლასის ბრძოლის პრობლემები საეროვნებათშორისო მონოპ. გაერთიანებების განვითარების პირობებში); 1971 აგვ-ში კოპენჰაგენის თათბირზე; 1973 სექტ-ში სტოკჰოლმის, ოქტ-ში კოპენჰაგენის, ნოემბერში სენ-დენის (პარიზის გარეუბანი) და რომის, დეკ-ში რომის შეხვედრებზე; 1974 იანვარში ესენის და ჟენევის შეხვედრებზე; 1974 იანვარში ბრიუსელის კონფერენციაზე (მონაწილეებმა განიხილეს სოც. პროგრესისათვის, დემოკრატიისა და ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის პერსპექტივები, მუშათა კლასისა და დემოკრ. ძალების ერთიანობისათვის ბრძოლის გაძლიერების გზების საკითხი. კონფერენციის პოლიტ. დეკლარაციაში დახასიათებულია დას. ევროპაში გამწვავებული სოც-ეკონ. და პოლიტ. მდგომარეობა და განსაზღვრულია თანამედროვე ეტაპზე ევრ. კაპიტალ. ქვეყნების კომუნისტური პარტიების მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი); 1974 ივნისში პარიზის შეხვედრაზე; 1974 სექტში ლუქსემბურგის და ოქტ-ში დიუსელდორფის თათბირებზე; 1974 ნოემბერში რომის კონფერენციაზე; 1975 წ. 28 თებ.—1 მარტს დიუსელდორფის შეხვედრაზე. 1975 მაისში პარიზის კონფერენციაზე; 1975 დეკ-ში პარიზის სხდომაზე და ა. შ. რამდენიმე თათბირი მიეძღვნა ევრ. კომუნისტური და მუშათა პარტიების 1976 კონფერენციისათვის მზადების საკითხების განხილვას. 16 შეხვედრა გამართეს ჩრდ. ევროპის ქვეყნების (დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვეცია) კომუნისტურმა პარტიებმა, მათ განიხილეს ამ ქვეყნების პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობა, საერთაშ. კომუნისტურ მოძრაობასთან, ევრ. უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები, მშვიდობისათვის ბრძოლის, აგრეთვე ევრ. ეკონ. გაერთიანებასთან ჩრდ. ქვეყნების შეერთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები და სხვ.

1980 წ. 28—29 აპრ. პარიზში მოეწყო ევროპის 22 კომუნისტ. და მუშათა პარტიების შეხვედრა, რ-იც მიეძღვნა მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის საკითხებს; მიიღეს კომუნისტების „მოწოდება ევროპის ქვეყნების ხალხებისადმი მშვიდობისა და განიარაღებისათვის."

შეხვედრებს აწყობენ ამერ. კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიები. ლათ. ამერ. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1964, 1969, 1971 და 1973 წლების თათბირებზე განიხილეს ლათ. ამერ. ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, მათი პრობლემები. ლათ. ამერ. ხალხთა განმათ. ანტიიმპერიალ. ბრძოლის გაძლიერების, კუბელ ხალხთან სოლიდარობის განმტკიცების, ურთიერთმშარდაჭერის განვითარების საკითხები, საერთაშ. კომუნისტურ და მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები. ცენტრ. ამერ. ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1961, 1962, 1964, 1965, 1967, 1969, 1971, 1972, 1974 წლების თათბირებზე განიხილეს აშშ-ის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობის, ამერ. აგრესიასთან მებრძოლი კიეტ. ხალხისადმი დახმარების გაძლიერების, კუბელ ხალხთან, არაბ ხალხებთან, რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლი ლათ. ამერ. ხალხებთან სოლიდარობის განვითარებისა და განმტკიცების საკითხები. ლათ. ამერ. და კარიბის აუზის ქვეყნების 24 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა ჰავანის თათბირმა (კანადისა და აშშ კომპარტიათა მონაწილეობით) 1975 ივნ. გამოავლინა მასში მონაწილე პარტიების მტკიცე ერთიანობა და მიიღო დეკლარაცია, რ-შიც მოცემულია ლათ. ამერ. მდგომარეობისა და მთლიანად საერთაშ. ვითარების ანალიზი.

არაბ. ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა თავისი თათბირები გამართეს 1959, 1964, 1966, 1967, 1968, 1970, 1971, 1973, 1975 წლებში. ამ შეხვედრათა მონაწილეებმა განიხილეს სრული განთავისუფლებისა და პროგრესისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არაბი ხალხების ბრძოლის, არაბების ერთიანობის განხორციელების, რევ. ძალების კავშირის განმტკიცების პრობლემები, ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის საკითხები, ეროვნ.-დემოკრ. რევოლუციების დამთავრების ეტაპზე კომუნისტების ამოცანები. მათ იმსჯელეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებასთან, მშვიდობის, ეროვნ. დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოც. პროგრესისათვის ბრძოლასთან, არაბ ქვეყნების კომპარტიების თანამშრომლობასთან, სსრკ-არაბეთის მეგობრობის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თათბირებზე მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს კონგოს და სამხრ. ვიეტნამის ხალხების განმათ, ბრძოლას, დაგმეს მსოფლიო კომუნისტურ და ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში მაოიზმის გამთიშველი როლი, აღნიშნეს მუდმივი სიფხიზლის აუცილებლობა იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის ხრიკებთან საბრძოლველად.

რეგულარულად იმართება მარქსისტების საერთაშ. თეორ. კონფერენციები თანამედროვე ეპოქის, მსოფლიო რევ. პროცესის, საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის, მშვიდობისათვის ბრძოლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის სხვა აქტუალური პრობლემების განსახილველად.

საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების შესწავლის, კომპარტიების ინტერნაც. კავშირებისა და იდეურ-პოლიტ. ერთიანობის განმტკიცების მნიშვნელოვან ფორმად იქცა დელეგაციათა გაგზავნა მომმე პარტიების ყრილობებზე, ორმხრივი შეხვედრა და მოლაპარაკება.

მარქსისტულ-ლენინური პარტიების ზემოაღნიშნული რეგულარული მრავალმხრივი კონტაქტები, მათი უმრავლესობის მიერ

ჩინელი და სხვა „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ გამთიშველების დაგმობა, ახ. საერთაშ. თათბირის მოწყობის მოთხოვნა გვიჩვენებს მათ ერთგულებას პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი, მიგვითითებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლაში საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის ერთობლივი მოქმედების აუცილებლობაზე.

ლიტ.: კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. მოსკოვი, 1969 წ. 5—17 ივნისი, თბ., 1969; მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები, თბ., 1961; სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971; სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976; **За мир, безопасность, сотрудничество и социальный прогресс в Европе К итогам Конференции коммунистических и рабочих партий Европы. Берлин, 29—30 июня 1976 г., М., 1976.**

ვ. ბურდული.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურო, ზოგიერთი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო ცენტრი. არსებობდა 1947—56. მიზნად ისახავდა კომპარტიებს შორის გამოცდილების გაზიარებას და აუცილებლობის შემთხვევაში მათი მოქმედების კოორდინაციას. შეიქმნა პოლონეთში 1947 სექტ. ბოლოს. კომუნისტ და მუშათა პარტიების თათბირის გადაწყვეტილებით. შემდეგი თათბირები შედგა 1948 იანვარსა და ივნისში (რუმინეთში), 1949 ნოემბ. (უნგრეთში). თათბირებზე მიღებულ დოკუმენტებში მოცემულია II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ საერთაშ. ასპარეზზე ძირითად პოლიტ. ძალთა განლაგების დახასიათება, ხოლო იუგოსლ. კომპარტიის (იკპ) მდგომარეობის შესახებ მიღებულ 2 დადგენილებაში (1948 და 1949) იკპ-ის ხელმძღვანელობას წაუყენეს რიგი დაუსაბუთებელი ბრალდებები. 1947—48 ინფორმბიუროს ადგილსამყოფელი იყო ბელგრადი, 1948—56 ბუქარესტი, ბეჭდვითი ორგანო—„ზაზ. „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის“. 1956 აპრილში საინფორმაციო ბიუროში შემავალი პარტიების ცკ-ების ერთობლივი გადაწყვეტილებით საინფორმაციო ბიურომ შეწყვიტა საქმიანობა.

კომუნისტური ინტერნაციონალი, კომინტერნი, III ინტერნაციონალი (1919—43), საერთაშორისო ორგანიზაცია, რ-იც შეიქმნა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპზე მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოთხოვნილებათა და ამოცანათა შესაბამისად. მოღვაწეობდა მსოფლიოს დიდ რევ. გარდაქმნათა პერიოდში და წარმოადგენდა I ინტერნაციონალის (*იხ. ინტერნაციონალი I*) ისტ. მონაცვლეს და I მსოფლიო ომის შემდეგ დაშლილი II ინტერნაციონალის (*იხ. ინტერნაციონალი II*) საუკეთესო ტრადიციების ისტ. მემკვიდრეს. II ინტერნაციონალის კრახის შემდეგ ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით დასვეს საკითხი ოპორტუნიზმისაგან, რეფორმიზმის და რევიზიონიზმისაგან გაწმენდილი ახალი, III ინტერნაციონალის შექმნის შესახებ.

პროლეტ. ინტერნაციონალიზმის ერთგულმა ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით გააჩაღეს ბრძოლა ს.-დ. პარტიების მემარცხენე ჯგუფების შესაკავშირებლად. III ინტერნაციონალის შექმნის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ქმნიდა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული კომუნისტური მოძრაობის იდეურ-პოლიტ. პრინციპები და თეორ. საფუძვლები. მემარცხენე სოც.-დემოკრატიის კონსოლიდაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციებმა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ციმერვალდის გაერთიანებაში ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის შექმნას, 1915 მოწვეულ ქალთა და ჭაბუკთა კონფერენციებს, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციას. ბოლშევიკების პროპაგანდისა და მოღვაწეობის შედეგად მუშები და მშრომელთა ფართო ფენები თანდათან გათავისუფლდნენ სოციალ-შოვინიზმის მავნე გავლენისაგან. 1917 დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ, მსოფლიოში პირველი სოციალ. სახელმწიფოს შექმნამ უდიდესი გამარჯვოლუციონერებელი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, შექმნა მუშათა კლასის რევ. ბრძოლის პრინციპულად ახ. პირობები. მსოფლიოში დაიწყო მუშათა და ეროვნ.-განმათ. ბრძოლის უდიდესი აღმავლობა და მთელ რიგ ქვეყნებში კომპარტიების შექმნის პროცესი. 1918 კომპარტიები შეიქმნა გერმანიაში, ავსტრალიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ნიდერლანდში, ფინეთში. ამ დროს რევ.-ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგნენ ბულგ. მუშათა ს.-დ. პარტია (ვიწრო სოციალისტების), არგენტინის ინტერნაციონალურ-სოციალ. პარტია, შვეიცის მემარცხენე ს.-დ. პარტია, საბერძნ. სოციალ. მუშათა პარტია და სხვ. 1918—19 კომუნისტური ჯგუფები და წრეები ჩამოყალიბდა ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, იტალიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, დანიაში, შვეიცარიაში, აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, ჩინეთში, კორეაში, ავსტრალიაში, სამხრ.-აფრ. კავშირში და სხვ. ქვეყნებში.

1919 იანვ. მოსკოვში ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა საბჭ. რუს., უნგრ., პოლ., ავსტრ., ლატვ., ფინ., აგრეთვე ბალკ. რევ. ს.-დ. ფედერაციის და აშშ-ის სოციალ. მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირი, რ-მაც მოწოდებით მიმართა ევრ., აზიის, ამერ. და ავსტრალ. 39 რევ. პარტიას, ჯგუფსა და მიმდინარეობას, მონაწილეობა მიეღოთ ახ. ინტერნაციონალის დამფუძნებელი კონგრესის მუშაობაში. თათბირმა შეიმუშავა ახ. ინტერნაციონალის პლატფორმის პროექტი.

1919 წ. 2—6 მარტს მოსკოვში შედგა კ. ი-ის I კონგრესი (დამფუძნებელი), რ-შიც მონაწილეობდა 21 ქვეყნის 35 პარტიისა და ჯგუფის 52 დელეგატი. კონგრესმა განიხილა და მიიღო ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე შემუშავებული კ. ი-ის პლატფორმა. ოქტ. რევოლუციით დაწყებული ახ. ეპოქა დახასიათებული იქნა, როგორც კაპიტალიზმის გახრწნის, მისი შინაგანი რღვევისა და პროლეტარიატის კომუნისტური რევოლუციების ეპოქა; დღის წესრიგში დადგა პროლეტ. დიქტატურის დამყარების ამოცანა, რაც ყველა რევ. ძალის შეკავშირებისა და ყველა ჯურის ოპორტუნიზმთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტის გზით, საერთაშ. პროლეტარიატის სოლიდარობის პირობებში უნდა განხორციელებულიყო. აქედან გამომდინარე, კონგრესმა სცნო კ. ი-ის გადაუდებლად შექმნის საჭიროება. კ. ი-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დოკუმენტია I კონგრესზე ვ. ი. ლენინის მიერ წარდგენილი თეზისები და მოხსენება ბურჟ. დემოკრატიისა და პროლეტ. დიქტატურის შესახებ. I კონგრესმა მოუწოდა ყველა ქვეყნის მუშებს, ბურჟუაზიის დასამხობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად რევ. ბრძოლაში გაერთიანებულიყვნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, გაჩაღებინათ გადამწყვეტი ბრძოლა II ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რ-იც 1919 თებ-ში ფორმალურად აღადგინეს ბერნში (*იხ. ბერნის ინტერნაციონალი*). კონგრესის მიერ მიღებულ მანიფესტში ნათქვამი იყო, რომ მოსკოვში შეკრებილი კომუნისტები, ევრ., ამერ. და აზიის რევ. პროლეტარიატის წარმომადგენლები თავის თავს თვლიან იმ საქმის მემკვიდრეებად და განმახორციელებლად, რ-ის პროგრამა მეცნ. კომუნიზმის ფუძემდებლებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა აუწყეს მსოფლიოს „კომუნისტური პარტიის მანიფესტით“.

კ. ი-ის I და II კონგრესებს შორის პერიოდი აღინიშნა საერთაშ. მუშათა მოძრაობის შემდგომი აღმავლობით. 1919 წ 21 მარტს საბჭ. რესპუბლიკა შეიქმნა უნგრეთში, 13 აპრ. — ბავარიაში, 16 ივნ. — სლოვაკიაში. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, იტალიასა და სხვ. ქვეყნებში დაიწყო მასობრივი მოძრაობა საბჭ. რუსეთის იმპერიალ. ქვეყნების ინტერვენციისაგან დასაცავად. მასობრივი ეროვნ.-განმათ. მოძრაობა გაიშალა კორეაში, ჩინეთში, ინდოეთში, თურქეთში, ავღანეთსა და სხვ. ქვეყნებში. 1919 მაისში ბულგ. მუშათა ს.-დ. პარტიას (ვიწრო სოციალისტებისა) ეწოდა კომუნისტური პარტია და იგი კ. ი-ში შევიდა. 1919 მარტიდან 1920 ნოემბრამდე კომპარტიები ჩამოყალიბდა იუგოსლავიაში, აშშ-ში, მექსიკაში, დანიაში, ესპანეთში, ინდონეზიაში, ირანში, დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, ურუგვაიში, ავსტრალიაში. კ. ი-ს შეუერთდნენ არგენტ. ინტერნაციონალურ-სოციალ. პარტია, საბერძნ. სოციალ. მუშათა პარტია, რუმინ. სოციალ. პარტია. შვეიცის მემარცხენე ს.-დ. პარტია, ნორვ. მუშათა პარტია, იტალ. სოციალ. პარტია, ბრიტ. სოციალ. პარტია, ინგლ. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შოტლანდიის ფრაქცია, ლუქსემბურგის სოციალ. პარტია, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების რევ. ჯგუფები და პროფკავშირები. კ. ი-მა თავის რიგებში მიიზიდა ახალშექმნილი კომუნისტურ და მემარცხენე პოზიციებზე დამდგარი ს.-დ. პარტიები. კ. ი-ის რიგებში მაოი მიღების უპირველესი გარანტია იყო კავშირის გაწყვეტა რეფორმიზმთან და მემარჯვენე ოპორტუნიზმთან. ამასთან ერთად ახლადშექმნილ კომპარტიებში გაჩნდა საფრთხე „მარცხნიდან“ და აგრეთვე ანარქიზმ-სინდიკალისტური ელემენტების შეღწევის გამო. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა ვ. ი. ლენინის წიგნმა «„მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში».

კ. ი-ის II კონგრესი გაიხსნა პეტროგრადში 1920 წ. 19 ივლ., 23 ივლ.—17 აგვ. მუშაობა განაგრძო და დაასრულა მოსკოვში. მონაწილეობდა 37 ქვეყნის 67 ორგანიზაციის (მ. შ. 27 კომპარტია) 217 დელეგატი. სათათბირო ხმით ესწრებოდნენ გერმ. დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიისა და საფრ. სოციალ. პარტიის წარმომადგენლები. კონგრესმა მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენება საერთაშ. მდგომარეობის და კ. ი-ის ძირითადი ამოცანების შესახებ. ლენინმა გააფრთხილა კომპარტიები არ დაეშვათ კაპიტალ. სისტემის ღრმა კრიზისის შეუფასებლობა, ამასთანავე დაგმო ილუზიები კრიზისის შედეგად კაპიტალიზმის ავტომ. კრახის შესაძლებლობის შესახებ. კ. ი-მა აუცილებლად მიიჩნია ახალგაზრდა, ჯერ კიდევ იდეურად, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მოუმწიფებელი კომპარტიების შემდგომი სრულყოფა

ვ. ი. ლენინი კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესის სხდომის პრეზიდიუმში. მოსკოვი. კრემლი.

(მათი გარდაქმნა მუშათა კლასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ახ. ტიპის პარტიებად). ამ ამოცანის განხორციელებას ისახავდა მიზნად ჰ. ი-ში მიღების ოცდაერთი პირობა (*იხ. ოცდაერთი პირობა კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღებისა*). იმ ცენტრისტულმა პარტიებმა, რ-ებმაც ვერ შეძლეს განთავისუფლებულიყვნენ სოც.-დემოკრატიზმის იდეოლოგიისაგან და არ აღიარეს ჰ. ი-ში მიღების პირობები, 1921 ოებ. ვენაში მოწვეულ კონფერენციაზე შექმნეს ე. წ. სოციალ. პარტიების საერთაშ. მუშათა გაერთიანება, რ-იც ცნობილია ინტერნაციონალი II $^1/_2$ სახელით, რ-იც 1923 შეუერთდა II ინტერნაციონალს (ბერნის ინტერნაციონალი) და შექმნა *მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი* (სოცინტერნი). უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნ. და კოლონ. საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. აღინიშნა, რომ სოციალ. სახელმწიფოს შექმნამ და საყოველთაო რევ. მოძრაობაში მისმა წამყვანმა როლმა ეროვნ. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს ახ. შესაძლებლობები შეუქმნა, უწინარეს ყოვლისა — განვითარების კაპიტალ. სტადიისათვის გვერდის ავლით სოციალიზმში გადასვლის პერსპექტივა.

აგრარულ საკითხში კომპარტიების პოზიციის განსაზღვრისას კონგრესი გამოდიოდა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის და სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ ინდივიდ. გლეხური მეურნეობის კოლექტიურით შეცვლის აუცილებლობის ლენინური პრინციპებიდან. კონგრესმა მიიღო დემოკრ. პრინციპებზე დაფუძნებული ჰ. ი-ის წესდება და შექმნა ჰ. ი-ის ხელმძღვანელი ორგანო — აღმასრ. კომიტეტი (კიაკ).

ჰ. ი-ის III კ ო ნ გ რ ე ს ი შედგა მოსკოვში 1921 წ. 22 ივნ. 12 ივლ., მონაწილეობდა 52 ქვეყნის 103 პარტიისა და ორგანიზაციის (მ. შ. 48 კომპარტია) 605 დელეგატი. მსოფლიოს განვითარების ახ. ეტაპის მოთხოვნათა შესაბამისად კონგრესმა დასახა კომუნისტური მოძრაობის გარდაქმნის პროგრამა. კონგრესზე წარმოდგენილ იქნა ლენინის ხელმძღვანელობით შემუშავებული ტაქტიკის შესახებ თეზისების პროექტი, რ-იც ასაბუთებდა კომპარტიების მიერ მუშათა კლასის უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვების აუცილებლობას. მსებისათვის ბრძოლის ლენინურ ხაზს გერმ., ავსტრიის, იტალიის დელეგატებმა და ჩეხოსლ. კომპარტიის დელეგატთა ნაწილმა დაუპირისპირა „მემარცხენული" ე. წ. „შეტევის თეორია". 1921 წ. 1 ივლ. ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ გამოსვლაში კონგრესზე დაიცვა კომინტერნის ტაქტიკა და განაცხადა, რომ აღნიშნულ ეტაპზე ბურჟ. წინააღმდეგ დაუყოვნებლივი „შეტევა" ნიშნავს ავანტიურიზმს და შეიძლება გამოიწვიოს კომუნისტური პარტიების დაღუპვა. ლენინმა ცხადყო შეცვლილ რეალურ ვითარებაში ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობა. კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემუშავებულ იქნა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. 1921 დეკ. კიაკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო გაფართოებული თეზისები ერთიანი მუშათა ფრონტის შესახებ.

საერთაშ. მუშათა, მოძრაობაში ახ. ტაქტიკის გამოყენების პირველ ცდას წარმოადგენდა ბერლინში მოწვეული *სამი ინტერნაციონალის კონფერენცია 1922.*

ჰ. ი-ის IV კ ო ნ გ რ ე ს ი გაიხსნა 1922 წ. 5 ნოემბ. პეტროგრადში. 9 ნოემბ.— 5 დეკ. მუშაობდა მოსკოვში. მონაწილეობდა 408 დელეგატი 58 ქვეყნის 66 პარტიიდან და ორგანიზაციიდან. ოქტ. რევ. 5 წლისთავისა და მსოფლიო რევ. პერსპექტივებისადმი მიძღვნილ მოხსენებაში ვ. ი. ლენინმა საბჭ. რუსეთში ნეპის მაგალითზე აჩვენა, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო დროებითი უკანდახევა კაპიტალიზმზე ახ. შეტევის მოსამზადებლად. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ბოლშევიზმის გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენების აუცილებლობას. კონგრესმა აღნიშნა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი საშუალებაა ერთიანი მუშათა ფრონტის ტაქტიკა, მიუთითა პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობის აუცილებლობაზე, კონგრესმა განმარტა, რომ კოლონ. და დამოკიდებული ქვეყნების პირობებში ერთიანი ფრონტის ტაქტიკის კონკრ. გამოყენება არის ერთიანი ანტიიმპერიალ. ფრონტი, რ-იც აერთიანებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნ.-პატრ. ძალებს. 1923 დიდი რევ. გამოსვლებით დამთავრდა ომისშემდგომი რევ. აღმავლობა. დაიწყო კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, რ-საც თან სდევდა აქტივიზაცია სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერებისა და რეფორმისტული პროფკავშირებისა, რ-ებიც მუშათა მოძრაობაში ძალდატანებით ნერგავდნენ კლასობრივი თანამშრომლობის იდეებს. კომპარტიებში თავი წამოყვეს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე-სექტანტურმა ტროცკისტულმა ელემენტებმა.

1924 იანვარში ვ. ი. ლენინის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ტროცკი და მისი მიმდევრები აშკარად გამოვიდნენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის ლენინური თეორიის წინააღმდეგ. ტროცკიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა გაიშალა.

ჰ. ი-ის V კ ო ნ გ რ ე ს ზ ე (მოსკოვი, 1924 წ. 17 ივნ.—8 ივლ.) მონაწილეობდა 49 კომპარტიის, ერთი სახ.-რევ. პარტიის, აგრეთვე 10 საერთაშ. ორგანიზაციის 504 დელეგატი. კონგრესი ისტორიაში შევიდა როგორც კომპარტიების ბოლშევიზაციისათვის ბრძოლის კონგრესი. მის ძირითად დოკუმენტში — თეზისებში ხაზგასმული იყო, რომ ჰ. ი-ის მთელი მოღვაწეობის ცენტრ. ამოცანაა ჭეშმარიტად ლენინური პარტიების გამოწრთობა. კონგრესმა მიუთითა, რომ ჭეშმარიტად ბოლშევიკური პარტიის ნიშნებია: მასობრივობა, მანევრირების უნარი, რ-იც გამორიცხავს ბრძოლის მეთოდებსა და საშუალებებში ყოველგვარ დოგმატურობასა და სექტანტობას; რევ. მარქსიზმის პრინციპებისადმი ერთგულება; დემოკრ. ცენტრალიზმი და პარტიის მონოლითურობა. ჰ. ი-ის კურსი ყოველ კომპარტიას აძლევდა შესაძლებლობას გამოეყენებინა პრაქტ. ბრძოლის საკუთარი გამოცდილება, გამხდარიყო ეროვნ. პოლიტ. ბალა, რ-საც უნარი შესწევდა თავისი ქვეყნის კონკრ. პირობებში ემოქმედა დამოუკიდებლად, ყოფილიყო მუშათა მოძრაობის ჭეშმარიტი ავანგარდი. მაგრამ ამ კურსის განხორციელების დროს ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს.

V კონგრესის თეზისები შეიცავდნენ არასწორ დებულებას იმის შესახებ, რომ არსებითად არ იყო განსხვავება სოც.-დემოკრატიასა და ფაშიზმს შორის, რამაც შემდეგში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ერთიანი მოქმედების პრაქტიკას. სკპ(ბ)-ში ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციური ბლოკის შექმნასთან და ჰ. ი-ის სხვა კომპარტიებში ტროცკისტების აქტივიზაციასთან დაკავშირებით ჰ. ი-მა მხარი დაუჭირა სკპ(ბ) ცკ-ის პოზიციას, ტროცკიზმი დაახასიათა, როგორც „...მენშევიზმის სახესხვაობა", რ-შიც „...ევროპული ოპორტუნიზმი" შერწყმული იყო „მემარცხენერადიკალურ" ფრაზასთან. ტროცკიზმის იდეურ განადგურებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა კიაკ-ის მე-7 გაფართოებულმა პლენუმმა (1926 დეკ.). პლენუმზე ი. ბ. სტალინმა გამოააშკარავა ტროცკიზმის, როგორც მუშათა საერთაშ. მოძრაობაში წვრილბურჟ. ს.-დ. გადახრის ბუნება. ლენინიზმის და საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ შემდგომ ბრძოლაში ტროცკიზმმა სულ უფრო სრულად გამოავლინა თავისი კონტრრევ. არსი. ჰ. ი-ის VI კონგრესმა (1928) ტროცკიზმის პოლიტ. პლატფორმა დაახასიათა, როგორც კონტრრევოლუციური. ჰ. ი-ის რიგებში ტროცკიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი იდეურ-პოლიტ. ბრძოლა გაჩაღეს ი. ბ. სტალინმა, დ. ზ. მანუილსკიმ, ვ. გ. კნორინმა, ი. ა. პიატნიცკიმ, ე. მ. იაროსლავსკიმ, გ. დიმიტროვმა, პ. ტოლიატიმ (ერკოლი), მ. ტორეზმა, ო. კუუსინენმა, ე. ტელმანმა, ს. კატაიამამ და სხვ.

ჰ. ი-ის VI კ ო ნ გ რ ე ს ი ს (მოსკოვი, 1928 წ. 17 ივლ.—1 სექტ.) მუშაობაში მონაწილეობდა 57 ქვეყნის 65 ორგანიზაციის (მ. შ. 50 კომპარტია) 515 დელეგატი. კონგრესზე აღინიშნა 1917 ოქტ. შემდეგ მსოფლიოს რევ. განვითარების ახალი, „მესამე" პერიოდის — კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობისა მკვეთრი გამწვავების პერიოდის — მოახლოება, რასაც ცხადყოფდა მსოფლიო ეკონ. კრიზისის ნიშნები, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, კოლონ. და დამოუკიდებელ ქვეყნებში განმათ. მოძრაობის ახ. აღმავლობა. აქასთან დაკავშირებით კონგრესმა დაამტკიცა კიაკ-ის მე-9 პლენუმის (1928 თებ.) მიერ დასახული ტაქტიკა, რ-იც შემდეგში გამოიხატა ფორმულით „კლასი კლასის წინააღმდეგ". VI კონგრესმა მიიღო ჰ. ი-ის პროგრამა, რ-შიც მოცემული იყო კაპიტალიზმის, განსაკუთრებით მისი საერთო კრიზისის, მეცნ. დახასიათება და ოქტ. რევ. შემდგომ გავლილი 10 წლის რევ. მოძრაობის პერიოდიზაცია; გაშუქებული იყო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მიზნები. საერთაშ. კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის პრობლემების დამუშავებისას ჰ. ი. სკპ(ბ)-ის აქტ. მონაწილეობით დაეხმარა კომპარტიებს გადაელახათ შეცდომები, რ-იც გამოწვეული იყო ზოგიერთ კომპარტიაში მემარჯვენე გადახრის გააქტიურებასთან [ნ. ი. ბუხარინი და სხვ. სკპ(ბ)-ში დ. ლოვსტონი აშშ-ის კომპარტიაში, ჰ. ბრანდლერი გერმ. კომპარტიაში და სხვ.].

1929—33 მსოფლიო ეკონ. კრიზისის შედეგებთან, იმპერიალიზმის აგრესიულობის ზრდასა და ფაშიზმისაკენ შემობრუნებასთან დაკავშირებით მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე ახ. ამოცანები დადგა. ამ დროისათვის რიგი ქვეყნების კომპარტიები წარმოადგენდნენ დიდი გავლენის მქონე ძალას, მათში იჭედებოდა მტკიცე მარქსისტულ-ლენინური ბირთვი.

ჰ. ი-ის VII კ ო ნ გ რ ე ს ი ს (მოსკოვი, 1935 წ. 25 ივლ. – 20 აგვ.) მუშაობის დაწყების წინ ჰ. ი-ში 76 კომპარტია და ორგანიზაცია შედიოდა, მ. შ. 19 როგორც თანამგრძნობი. მათ რიგებში იყო 3 მლნ. 141 ათ. კომუნისტი, აქედან 785,5 ათ. კაპიტალ. ქვეყნებში. მხოლოდ 26 ორგანიზაცია მუშაობდა ლეგალურად, დანარჩენმა 50-მა მკაცრი დევნა განიცადა და იატაკქვეშეთში გადავიდა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 65 კომპარტიისა და მთელი რიგი საერთაშ. ორგანიზაციების 513 დელეგატი. კონგრესის საპატიო თავ-რედ აირჩიეს ე. *ტელმანი*, რ-იც ფაშისტური გერმ. ციხეში იმყოფებოდა. კონგრესმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ანგარიში კიაკ-ის მოღვაწეობის შესახებ (მომხსენებელი ვ. პიკი); 2. ანგარიში ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ზ. ანგარეტისი); 3. ფაშიზმის შემოტევა და ჰ. ი-ის ამოცანები ფაშიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში (მომხსენებელი გ. დიმიტროვი); 4. იმპერიალისტური ომის მომზადება და ჰ. ი-ის ამოცანები (მომხსენებელი პ. ტოლიატი); 5. სსრკ-ში სოციალიზმის მშენებლობის შედეგები (მომხსენებელი დ. მანუილსკი); 6. კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

VII კონგრესის ისტ. მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი.“ 1848 გამოცემის ყდა.

მან კომპარტიებს დაუსახა ფაშიზმის შემოტევისა და ახ. მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზი. კონგრესმა მიუთითა, რომ ფაშიზმის ჩადგომა ხელისუფლების სათავეში ნიშნავდა არა ერთი ბურჟ. მთავრობის ჩვეულებრივ შეცვლას მეორეთი, არამედ ბურჟ. კლასობრივი ბატონობის ერთი ფორმის — პარლამენტური დემოკრატიის — შეცვლას მისი მეორე ფორმით, — აშკარა რეაქციული, ტერორისტული დიქტატურით. განსხვავებით ოქტ. რევ. შემდგომი პერიოდისაგან, როცა მუშათა კლასის წინაშე იდგა არჩევანი — სოციალ. რევოლუცია თუ ბურჟ. დემოკრატია (ამ უკანასკნელისადმი მხარდაჭერა მაშინ ფაქტობრივად კლასობრივი მტრის ბანაკში გადასვლას ნიშნავდა), 30-იან წწ. პოლიტ. კრიზისმა დასვა ალტერნატივა — ფაშიზმი ან ბურჟ. დემოკრატია. ამჯერად საჭირო იყო ყველას გაერთიანება, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ფაშიზმისა და ახ. მსოფლიო ომის საშიშროების წინააღმდეგ გამოდიოდა. საჭირო იყო ბოლო მოღებოდა სექტანტობას, რ-იც მუშათა კლასის ერთიანობას უშლიდა ხელს. კ. ი-ის VII კონგრესმა განსაზღვრა ერთიანი მუშათა და სახ. ფრონტის ტაქტიკა. საერთაშ. მუშათა მოძრაობის უპირველესი ამოცანა იყო ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნა. ამ პრობლემასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროფკავშირული მოძრაობის ერთიანობა, როგორც ეროვნული, ისე საერთაშ. მასშტაბით. კონგრესმა შეიმუშავა სახალხო ფრონტის პრინციპები — ერთიანი მუშათა ფრონტის ბაზაზე უნდა გაერთიანებულიყვნენ გლეხობის ფართო ფენები, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, მშრომელი ინტელიგენცია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა VII კონგრესის დასკვნებს ეროვნ.-განმათ. მოძრაობის საკითხში. კონგრესმა მიუთითა, რომ კოლონიებისა და ნახევარკოლონიების უმრავლესობისათვის გარდაუვალია იმპერიალ. მჩაგვრელების წინააღმდეგ მიმართული ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ეტაპი. ჩაგრული და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს კონგრესის მიერ წამოყენებული მთავარი ლოზუნგი მოუწოდებდა შეექმნათ ანტიიმპერიალ. ერთიანი ფრონტი.

VII კონგრესის ერთ-ერთი ცენტრ. საკითხი იყო ახ. მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლა. აღინიშნა, რომ მსოფლიოს გადანაწილება უკვე დაიწყო, რომ ომის მთავარი გამჩაღებლები იყვნენ გერმ. და იტალ. ფაშისტები, იაპ. იმპერიალისტები, რომ დასავლეთის იმპერიალისტები აქეზებდნენ ფაშისტურ აგრესიას.

კონგრესმა აირჩია კომინტერნის ხელმძღვანელი ორგანოები — აღმასრ. კომიტეტი, ინტერნაც. საკონტროლო კომისია, კიაკ-ის პრეზიდიუმი და სამდივნო. კიაკ-ის გენ. მდივნად აირჩიეს გ. დიმიტროვი. ურთიერთნდობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროში კ. ი-ის ხელმძღვანელობაში აქტიურად მონაწილეობდნენ კომპარტიათა გამოჩენილი წარმომადგენლები. კოლექტ. ხელმძღვანელობის პროცესი პრაქტიკულად ხორციელდებოდა.

კ. ი-ის VII კონგრესის შემდეგ კ. ი-ის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საფრ., ესპ., ჩინ. და სხვ. ქვეყნების კომპარტიებმა გაამდიდრეს მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობა მასებთან კავშირის გაფართოების, სახ. ფრონტის შექმნისა (საფრანგეთში — 1935, ესპანეთში — 1936) და განმტკიცების მდიდარი გამოცდილებით.

კ. ი-ის აღმასკომმა 1935—39 მუშათა სოციალ. ინტერნაციონალის ხელმძღვანელობას ათჯერ შესთავაზა კონკრეტული პლატფორმა კომუნისტური და ს.-დ. მოძრაობის ძალების გასაერთიანებლად ფაშიზმისა და ომის გაჩაღების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატების მემარჯვენე ლიდერებმა ამ მოწოდებებს სათანადოდ არ დაუჭირეს მხარი. მუშათა სოციალ. ინტერნაციონალის და სოციალ. პარტიების არამყარმა პოზიციამ საერთაშ. მუშათა კლასი ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში გათიშული დატოვა.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზრდამ, II მსოფლიო ომის პირობებში სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილმა განსხვავებულმა სიტუაციამ შეცვალა კ. ი-ის მდგომარეობა. კომპარტიათა ნაწილს უნდა ემოქმედა აგრესიულ ქვეყნებში, ნაწილს — აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებში. ზოგი კომპარტია ლეგალური დარჩა, ზოგი იატაკქვეშეთში გადავიდა, ზოგი — ისეთ კოლონიებში მოღვაწეობდა, რ-ებიც უშუალოდ მათთან კავშირში არ იყვნენ. კომპარტიებს გულდასმით უნდა გაეთვალისწინებინათ თავიანთი ქვეყნების მდგომარეობა, განსაკუთრებით თავიანთი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ყოველივე ამის გამო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთი ცენტრიდან ხელმძღვანელობა პრაქტიკულად შეუძლებელი და არამიზანშეწონილი გახდა. ამასთანავე საჭირო იყო ბოლო მოღებოდა ცილისმწამებლურ ხმებს, თითქოსდა კომპარტიები მოქმედებდნენ არა დამოუკიდებლად, არამედ „გარედან ბრძანებით“. ამ მიზეზების გამო კიაკ-ის პრეზიდიუმმა 1943 მაისში მიიღო გადაწყვეტილება კ. ი-ის დაშლის შესახებ, რ-იც ყველა მისმა სექციამ მოიწონა.

კ. ი-ის დიდი ისტ. დამსახურებაა ის, რომ მან დაიცვა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება როგორც მარჯვნიდან, ისე „მარცხნიდან“ ოპორტუნისტული გადაგვარებისაგან, განახორციელა მარქსიზმ-ლენინიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, საერთაშ. მასშტაბით, განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორია. სტრატეგია და ტაქტიკა კაპიტალიზმის საერთო კრიზისისა და სსრკ-ში სოციალიზმის მშენებლობის პირველ ეტაპზე, ხელი შეუწყო მრავალი ქვეყნის მოწინავე მუშების ავანგარდს ჭეშმარიტად პროლეტ. პარტიად ჩამოყალიბებულიყო, დაეხმარა მათ მშრომელი მასების მობილიზებაში თავიანთი ეკონ. და პოლიტ. ინტერესების დასაცავად. ფაშიზმისა და იმპერიალ. ომის წინააღმდეგ ბრძოლაში განამტკიცა მუშათა კლასის ინტერნაც. ერთიანობა, იბრძოდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობის განვითარების და გამარჯვებისათვის, დიდი როლი ითამაშა იმ ისტ. რევ. გარდაქმნათა მომზადებაში, რ-ებიც განხორციელდა II მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ. ყოველივე ამან მიგვიყვანა მძლავრი მსოფლიო სოციალ. სისტემის შექმნამდე, რ-იც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მსოფლიო ისტ. მსვლელობაზე. კ. ი-ის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ კომუნისტური მოძრაობის ძლიერება და ქმედითობა გაპირობებულია პროლეტ. ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებით. კ. ი-მა მაღლა ასწია ინტერნაციონალიზმის დროშა, ხელი შეუწყო მისი იდეების გავრცელებას მთელ მსოფლიოში. კომპარტიების სწორ, ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მთელი მუშათა მოძრაობის, კაცობრიობის ბედისათვის.

ლიტ.: ლენინი ვ. ი., კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესი. 1919 წ 2—6 მარტი, იხხ., გამოც. მე-4, ტ. 28; მისივე, კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების შესახებ, იქვე; მისივე, III, კომუნისტური ინტერნაციონალი, იქვე, ტ. 29; მისივე, მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში, იქვე, მისივე, III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ (რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ), იქვე; მისივე, „მემარცხენეობის“ საფმაწვილო სენი კომუნიზმში, იქვე, ტ. 31; მისივე, კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი. 1920 წ. 19 ივლ. — 7 აგვ., იქვე; მისივე, კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესი. 1921 წ 22 ივნ. — 12 ივლ., იქვე, ტ. 32; მისივე, კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესი. 1922 წ. 5 ნოემბ. — 5 დეკ., იქვე, ტ 33; Борьба большевиков за создание Коммунистического Интернационала. Материалы и документы, М., 1934; Коммунистический Интернационал в документах· 1919—1932, М., 1933; Коммунистический Интернационал. Краткий исторический очерк, М., 1969; Ленин в борьбе за революционный Интернационал, М., 1970; В. И. Ленин и Коммунистический Интернационал, М., 1970; Лейбзон Б. М., Шириня К. К, Поворот в политике Коминтерна (К 30-летию VII конгресса), М., 1965; Пик В, Отчет о деятельности ИККИ 26 июля 1935 г, М, 1935; Фостер У., История трех Интернационалов, [пер. с англ.], М., 1959.

გ. კიღურაძე.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი (კიაკ), კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელი ორგანო, რ-იც მოქმედებდა მის კონგრესებს შორის. კომინტერნის მე-2 (1920), მე-5 (1924) და მე-6 (1928) კონგრესებზე მიღებული წესდება კიაკ-ს უფლებას აძლევდა კომინტერნის სექციებისათვის გაეგზავნა სადირექტივო მითითებები, გაეკონტროლებინა მათი საქმიანობა; კომინტერნიდან გაერიცხა ცალკეული პირები, ჯგუფები და სექციები, რ-ებიც დაარღვევდნენ პროგრამას, კომინტერნის წესდებას ან კონგრესების გადაწყვეტილებებს; კომინტერნის რიგებში სათათბირო ხმით მიეღო ორგანიზაციები და პარტიები, რ-ებიც თანაუგრძნობდნენ კომუნიზმს. კიაკ-ის შემადგენლობას ირჩევდნენ კომინტერნის კონგრესებზე. კიაკ-ს ჰქონდა თავისი მუდმივმოქმედი ორგანოები: პრეზიდიუმი (1921 სექტ-მდე მცირე ბიურო), სამდივნო და ორგბიურო, რეგიონალური ბიუროები და სამდივნოები, განყოფილებები და კომისიები სამუშაოთა დარგების ან პრობლემების (რ-ებიც ცალკეულ კომპარტიებს ეხებოდა) მიხედვით; სცემდა ჟურნალ „კომუნისტურ ინტერნაციონალს“.

კომუნისტური მორალი, მორალის უმაღლესი ფორმა, რ-იც იქმნება ახალი, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ბაზაზე, კაცობრიობის ზნეობრივი პროგრესის კანონზომიერი შედეგი. კ. მ-ის ობიექტური კრიტერიუმია ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და საბოლოო აშენებისათვის. კ. მ-ის სოც. საფუძველია ისეთი საზ. ურთიერთობანი, რ-ებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა პირადი და საზ. ინტერესების ერთიანობას. იხ. აგრეთვე *მორალი.*

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, მარქსისა და ენგელსის ნაწარმოები, მარქსიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტი, რ-მიც შეკუმშულადაა გადმოცემული მეცნიერული კომუნიზმის, კომუნისტთა სტრატეგიის, ტაქტიკისა და მსოფლმხედველობის ძირითადი დებულებები. „კ. პ. მ-ით“ მთავრდება მარქსიზმის ისტ. ჩამოყალიბების პროცესი. დაიწერა 1847 ბოლოს „კომუნისტთა კავშირის“ დაკვეთით; გამოიცა 1848 დასაწყისში. „ეს პატარა წიგნაკი მთელ ტომებს უდრის: დღემდე მისი სულისკვეთებით ცოცხლობს და მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი ორგანიზებული და მებრძოლი პროლეტარიატი“ (ლენინი ვ. ი., თხზ., გამოც. მე-4, ტ. 2, გვ. 12).

„მანიფესტის“ უმნიშვნელოვანესი იდეაა *პროლეტარიატის დიქტატურის* იდეა.

„მანიფესტში“ გარკვეულია წარმოების განვითარების დიალექტიკა, სოციალიზმის მატერ. წანამძღვრები, სოციალ. რევ. აუცილებლობა, განსაზღვრული ეკონ.-ობიექტური პირობებით. დასაბუთებულია მატერ. წარმოების განმსაზღვრელი როლი, გაანალიზებულია ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების თანაფარდობა, მკაცრად არის გაკრიტიკებული ბურჟ. საკუთრება, ოჯახი, მორალი, რელიგია და სხვ.; ამასთან მოცემულია მათი მეცნ.-მატერიალ. ახსნის პრინციპები. მარქსმა და ენგელსმა ამხილეს ბურჟ. იდეოლოგიის ვიწრო კლასობრივი, სტერეოტიპული ხასიათი, მისი მატერ. ფესვები, უჩვენეს, რომ ბურჟ. შე-

ხედულებები თავისუფლების, განათლების, სამართლისა და სხვ. შესახებ „ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის და ბურჟუაზიული საკუთრების ურთიერთობის ნაყოფია“ (იქვე, გვ. 146).

„მანიფესტში“ გარკვეულია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვისებრივი თავისებურება და მსოფლიო-ისტ. მისია; დასაბუთებულია კომუნისტური პარტიის, როგორც მუშათა კლასის ძირეული ინტერნაც. ინტერესების გამომხატველი მოწინავე რაზმის, შექმნა-განმტკიცების აუცილებლობა.

მარქსმა და ენგელსმა მეცნ. კომუნიზმი ძირეულად დაუპირისპირეს არამეცნ., რეაქციულ და უტოპიურ სოციალ. თეორიებს: ფეოდალურ, აგრეთვე ე. წ. ქრისტ. ცრუსოციალიზმს, რ-იც შუასაუკუნეობრივი წესწყობილებისაკენ დაბრუნებას ქადაგებდა; ბურჟ. „სოციალიზმს“, რ-იც აიდეალებდა და მარადიულად აცხადებდა ბურჟ. წყობილებას, წვრილბურჟ. სოციალიზმს, რ-იც სასაქონლო მეურნეობაში ხელავდა საქონლის მწარმოებელთა თავისუფლებისა და თანასწორობის სამეფოს. მაღალ შეფასებას იმსახურებს შ. ფურიესა და სხვ. კრიტ.-უტოპიური სოციალიზმი.

ბურჟ. „მარქსოლოგები“ და მარქსიზმის აშკარა მტრები დაჟინებით ამტკიცებენ, თითქოს „კ. პ. მ.“ მოძველდა, მისი დებულებები გაქარწყლდა კაპიტალ. საზ-ბის შემდგომი განვითარების შედეგად. სინამდვილეში კი პირიქით არის — „მანიფესტის“ იდეების სისწორე და ცხოველმყოფელობა განუწყვეტლივ დასტურდება მუშათა კლასის რევ. ბრძოლის წარმატებებით.

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., წინასიტყვაობანი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 1872, 1882, 1883, 1890, 1893 წწ. გამოცემებისადმი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ლენინი ვ. ი., სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 25; Ойзерман Т. И., Формирование философии марксизма, М., 1962, с. 524—539. *გ. ასათიანი.*

კომუნისტური საკუთრება, ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრება საზოგადოებრივ დოვლათზე. სოციალისტურთან შედარებით იგი საზ. საკუთრების უმაღლესი ფორმაა. მისი მატერ. საფუძველია მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები.

კომუნისტური უნივერსიტეტები სსრკავშირში 1919—35, უმაღლესი პარტიული სასწავლო დაწესებულებები, სადაც ამზადებდნენ პარტიულ, საბჭ. და პროფკავშირულ მუშაკებს. მათ მუშაობას უშუალოდ პარტიის ცკ ხელმძღვანელობდა. პირველი იყო *კომუნისტური უნივერსიტეტი* ი. სვერდლოვის სახელობისა (1919). 1921 მოსკოვში დაარსდა *კომუნისტური უნივერსიტეტი დასავლეთის ეროვნული უმცირესობებისა* ი. მარხლევსკის სახელობისა და *კომუნისტური უნივერსიტეტი აღმოსავლეთის მშრომელებისა.* კ. უ-ში იღებდნენ არანაკლებ 3 წლის პარტსტაჟის მქონე მუშაკებს, შემდეგ სწავლის ხანგრძლივობა იყო 4 წელი. 1923 რკპ(ბ) ცკ-მა დაამტკიცა „კომუნისტური უნივერსიტეტების ნორმალური წესდება“. კ. უ-ის უმრავლესობას ჰქონდა პარტ. მუშაობის და პოლიტ. განათლების, პროფმოძრაობის, ეკონ., ადმ.-სამართლის განყ-ბები. სასწ. პროგრამაში შედიოდა საზ.-პოლიტ., საბუნებისმეტყველო-სამეცნ. დარგების ციკლების, აგრეთვე რუს. და უცხო ენების სწავლება. გარდა ზემოხსენებული კ. უ-ისა, იყო აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის თურქესტანის მუშა დეჰყანების (მოსკოვი), არტემის სახელობის (ხარკოვი), ლენინგრ., ბელორ. (მინსკი) კ. უ., *ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი* (თბილისი) და სხვ. 1927 მოსკოვში დაარსდა საკავშ. მნიშვნელობის დაუსწრებელი კ. უ., ხოლო ზოგიერთ კ. უ-ში შეიქმნა დაუსწრებელი განყ-ბები. 1931 სულ იყო 45 ცენტრ., რესპ. და საოლქო კ. უ. კ. უ-ს ჰქონდა ასპირანტურებიც. გარდა კ. უ-ისა არსებობდა აგრეთვე პარტ. სპეციალიზებული სასწ. და სასწ.-სამეცნ. დაწესებულებები, *კომუნისტური აკადემია, წითელი პროფესურის ინსტიტუტი, კომუნისტური აღზრდის აკადემია* ნ. კრუპსკაიას სახელობისა, ლენინგრ. პოლიტ.-საგანმან. ინ-ტი, ჟურნალისტიკის კომუნისტური ინ-ტები და სხვ. კ. უ-მა დიდი როლი ითამაშა ხელმძღვანელი პარტ., სახელმწ., პროფკავშირული კადრების მომზადების საქმეში. საკ. კპ (ბ) ცკ-ის 1932 წ. 21 სექტ. გადაწყვეტილებით, კ. უ-ის უმრავლესობა უმაღლეს კომუნისტურ სას.-სამ. სკოლებად გადაკეთდა. კ. უ-მა შეწყვიტა არსებობა 1935 წ. 1939 სკკპ ცკ-თან დაარსდა უმაღლესი პარტიული სკოლა, 1946 — საზ. მეცნ. აკადემია.

კომუნისტური უნივერსიტეტი ი. სვერდლოვის სახელობისა, პირველი უმაღლესი პარტიული სასწავლო დაწესებულება სსრკ-ში, რ-იც ამზადებდა პარტიულ და საბჭ. მუშაკებს. დაარსდა ი. სვერდლოვის ინიციატივით 1919 ივლ. მოსკოვში. უნ-ტის სასწ. კურსი თავდაპირველად 6—8 თვით განისაზღვრებოდა, შემდეგ 2, 3, 4 წლამდე გაიზარდა. ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდა უნ-ტის ორგანიზაციას, მისი სასწ. პროგრამის შემუშავებას. 1919 წ. 11 ივლ. და 29 აგვ. ლენინმა უნ-ტის მსმენელებს წაუკითხა ორი ლექცია სახელმწიფოს შესახებ. 1919 წ. 24 ოქტ. ლენინმა სიტყვით მიმართა ფრონტზე მიმავალ მსმენელებს. უნ-ტში ლექციებს კითხულობდნენ ი. სვერდლოვი, მ. გორკი, მ. კალინინი, ვ. კუიბიშევი, ა. ლუნაჩარსკი და სხვ., რექტორები იყვნენ: მ. ლიადოვი, ვ. ნევსკი, ვ. ანტონოვ-სარატოვსკი. უნ-ტთან არსებობდა საღამოს კომუნისტური უნ-ტი, დაუსწრებელი კომუნისტური უნ-ტი, ლექტორთა კურსები, შემდგომში ასპირანტთა ინ-ტი. პირველ 10 წელიწადში უნ-ტი დაამთავრა 10 ათ-ზე მეტმა კაცმა (სულ სწავლობდა 19 ათ. კაცი). საკ. კპ(ბ) ცკ-ის 1932 წ. 21 სექტ. გადაწყვეტილებით იგი ი. სვერდლოვის სახ. უმაღლეს კომუნისტურ სას.-სამ. უნ-ტად გადაკეთდა. 1933 უნ-ტი დაჯილდოეს ლენინის ორდენით. 1935 უნ-ტი გადაკეთდა საკ. კპ(ბ) ცკ-თან არსებულ ი. სვერდლოვის სახ. პროპაგანდისტთა უმაღლეს სკოლად.

კომუნისტური უნივერსიტეტი აღმოსავლეთის მშრომელებისა, დაარსდა მოსკოვში რსფსრ განათლების სახალხო კომისარიატთან რსფსრ ცაკის 1921 წ. 21 აპრ. დეკრეტით. ამზადებდა საბჭ. აღმ. რესპუბლიკების და ოლქების მუშაკებს. მოგვიანებით საკ. კპ(ბ) ცკ-ის გამგებლობაში შედიოდა. სხვადასხვა დროს იქ სწავლობდა 73 ეროვნების წარმომადგენელი. სასწ. პროგრამა ზოგადი განათლების ხასიათისა იყო. უნ-ტს ჰქონდა განყ-ბები: პარტ. მუშაობისა და პოლიტ. განათლებისა, პროფკავშირული მოძრაობისა, ეკონ., ადმ.-სამართლებრივი. მეცადინეობებს ხელმძღვანელობდნენ ა. ლუნაჩარსკი, ლ. კრასინი, მ. პოკროვსკი, და სხვ. უნ-ტში გაშლილი იყო აგრეთვე დიდი სამეცნ.-კვლ. მუშაობა. 1927 შეიქმნა სამეცნ.-კვლ. ასოციაცია, რ-ის მიზანი იყო საბჭ. და საზღვარგარეთის აღმოსავლეთის სოც.-ეკონ., ეროვნ. და კოლონ. პრობლემების შესწავლა. 1927—38 უნ-ტს ჰქონდა ბეჭდვითი ორგანო „რევოლუციური აღმოსავლეთი“. უნ-ტის სტუდენტები პედაგოგების ხელმძღვანელობით დიდ საგაზეთო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ. 30-იანი წლების ბოლოს უნ-ტი გაუქმდა. უნ-ტის განყ-ბებმა მრავალი ეროვნების რამდენიმე ათასი პარტ., კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკი მოამზადა.

კომუნისტური უნივერსიტეტი დასავლეთის ეროვნული უმცირესობებისა ი. მარხლევსკის სახელობისა, დაარსდა მოსკოვში რსფსრ სახკომსაბჭოს 1921 წ. 28 ნოემბ. დეკრეტით. ამზადებდა პოლიტ. მუშაკებს სსრკ-ში მცხოვრებ დას. ეროვნებათა წარმომადგენელთაგან. პირველი გამოშვება 1922 (352 კაცი) იყო. 1922/23 სასწ. წლიდან სწავლა 3-წლიანი გახდა. შეიქმნა განყ-ბები: პარტ. მუშაობისა და პოლიტ. განათლებისა, პროფკავშირული მუშაობისა, ეკონ. ადმ.-სამართლებრივი. პარალელურად არსებობდა ერთწლიანი კურსებიც. უნ-ტში ჩარიცხვა ხდებოდა ადგილ., პარტ. და კომკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციით. 1927 სწავლობდა 14 ეროვნების წარმომადგენელი. 1925-მდე უნ-ტის პირველი რექტორი იყო ი. მარხლევსკი. 1936 უნ-ტი გაუქმდა. უნ-ტმა და მისმა ფილიალმა დას. სხვადასხვა ეროვნების რამდენიმე ათასი პარტ., კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკი მოამზადა.

კომუნისტური შაბათობები, საბჭ. მშრომელების ნებაყოფლობითი აუნაზღაურებელი მუშაობის ერთ-ერთი ფორმა. თავისი ხასიათითა და შინაარსით კ. შ. წარმოადგენდა *სოციალისტური შეჯიბრების* ჩანასახს. კ. შ. წარმოიშვა 1919 გაზაფხულზე, სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხ. ინტერვენციის პერიოდში, იყო გამოხმაურება ვ. ი. ლენინის მოწოდებაზე— გაეუმჯობესებინათ რკინიგზის მუშაობა. კ. შ-ის ინიციატორად გამოვიდა მოსკოვ—ყაზანის რკინიგზის სადგურის მოსკოვ-სახარისხებლის დეპოს პარტ. უჯრედი. 12 აპრ., შაბათ ღამეს (აქედან სახელწოდება), დეპოს 15 კომუნისტმა იმუშავა 10 საათი, შეაკეთა 3 ორთქლმავალი. 10 მაისს ჩატარდა პირველი მასობრივი (205 კაცი) შაბათობა მოსკოვ—ყაზანის რკინიგზაზე. შემდეგ შაბათობები ჩატარდა მოსკ. და სხვა ქ-ების ფ-კა-ქ-ნებში. მოძრაობამ მოიცვა მუშათა კლასის ფართო მასები. კ. შ-ის გამოცდილება ლენინმა განაზოგადა ნაშრომში „*დიადი თაოსნობა*“ და მას კომუნიზმის ყლორტები უწოდა. იგი აღნიშნავდა, რომ „კომუნისტურ შაბათობას სწორედ იმიტომ აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომ იგი გვიჩვენებს მუშების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალ შრომითს დისციპლინაზე გადასვლაში მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 494—95), კ. შ-ის ახ. აღმავლობა 1919 ნოემბ.-დეკ-ში დაკავშირებული იყო ქვეყანაში სათბობის კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლასთან. რკპ(ბ) სადირექტივო წერილში ლენინმა პარტორგანიზაციებს მოუწოდა სისტემატურად მოეწყოთ კ. შ. შაბათობები ეწყობოდა აგრეთვე სამხ. ნაწილებში სოფლებში. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო 1920 იანვარში „ფრონტის კვირეულის“ დროს, როდესაც ათასობით მუშა მონაწილეობდა კ. შ-ში ფრონტის დასახმარებლად. რკპ(ბ) IX ყრილობის გადაწყვეტილებით, 1920 წ. 1 მაისს ჩატარდა სრულიად რუს. შაბათობა-მაისობა. კრემლში შაბათობაზე მუშაობდა ლენინი, 1920 კ. შ. ჩატარდა აგრეთვე დას. და სამხრ. ფრონტების დასახმარებლად, ინტერნაციონალური სოლიდარობის მიზნით და უნგრ. და საფრ. მუშათა დასახმარებლად. კ. შ. მიეძღვნა „გლეხის კვირეულს“ და სხვ. კ. შ. და კვირაობები ეწყობოდა სახ. მეურნ. აღდგენის, ინდუსტრიალიზაციისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამჟამად კ. შ. ეწყობა სამეურნეო ობიექტების, კლუბების, სკოლების მშენებლობის დაჩქარების, ქ-ების გამწვანებისა და სხვა მიზნით. პირველი კ. შ-ის 50 წლისთავისადმი (1969), ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (1970), ვ. ი. ლენინის დაბადების დღისა და სსრკ-ის შექმნის 50 წლისთავისადმი (1972), ლენინის დაბადების 110 წლის თავისადმი (1980) მიძღვნილ საკავშ. შაბათობებში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის თითქმის მთელმა შრომისუნარიანმა მოსახლეობამ.

კომუნისტური შრომის ბრიგადები, იხ. *კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები.*

კომში. შინდისური.

ქართული მუავე კომში.

კონაკრი. ტაძარი. 1930.

კონგო

მთავარი შენაკადები

მარჯვენა

ლუფირა
ლუუა
ლუკუგა
არუვიმი
იტიმბირი
მონგალა
უბანგი
სანგა

მარცხენა

ლომამი
ლულონგა
რუკი
კასაი
ანისი

კომუნისტური შრომის დამკვრელები, იხ. *კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები.*

კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდისათვის სსრკ მშრომელთა მასობრივი მოძრაობის მოწინავე რაზმი. პირველად შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადების ფორმით 1958 ნოემბერში სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობის შესახვედრად გაშლილი სოციალ. შეჯიბრების პროცესში მოსკ., ლენინგრ., ბაქოსა და სხვა ქ-ების მოწინავე სამრეწვ. საწარმოებში. კომუნისტური შრომის პირველი ბრიგადა შეიქმნა მოსკოვ—ყაზანის რკინიგზის მოსკოვ-სახარისხებელ სადგურში, იქ, სადაც საფუძველი ჩაეყარა პირველ კომუნისტურ შაბათობებს. მოსკოველთა ამ თაოსნობის საფუძველზე თბილ., ბათუმის, ქუთ., სოხუმის, რუსთავის, ჭიათურის და ტყიბულის საწარმოებში ახალგაზრდულმა შრომითმა კოლექტივებმა შექმნეს პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადები. 1958 წ. 27 ნოემბ. საქ. კომპარტიის ცკ-მა მოიწონა მოწინავე კოლექტივების ინიციატივა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის შესახებ და დასახა პარტ. ხელმძღვანელობის ამოცანები. სამრეწვ. საწარმოებიდან პირველი კომუნისტური შრომის ბრიგადები შეიქმნა რუსთავის მეტალ. ქ-ნის საბრძმედე საამქროებში, თბილ. ქ-ნა „ელექტროავტომატში", რუსთავის ცემენტის ქ-ნის საფქვავ საამქროში და სხვ. 1959 პირველ ნახევარში კომუნისტური შრომის მაღალი წოდებები მიენიჭა ასობით კოლექტივებს. 1959 კომუნისტური შრომითი კოლექტივების წოდებისათვის მებრძოლი ბრიგადების რაოდენობა 2954 შეადგენდა, კომუნისტური შრომის ბრიგადების რაოდენობა 545-მდე გაიზარდა. კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებისათვის იბრძოდა 13454 ბრიგადა, ხოლო ეს წოდება მოპოვებული ჰქონდა 1967 ბრიგადას. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რაოდენობა მერვე და მეცხრე ხუთწლედებში.

1966—75 შრომით შეჯიბრებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობა 737,6 ათ. კაციდან 1255,4 ათასამდე გაიზარდა, ხოლო შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის მონაწილეთა რაოდენობა — 258,7 ათასიდან 646,2 ათასამდე, ე. ი. 2-ჯერ და უფრო მეტად. კომუნისტური შრომის დამკვრელების რიცხვი გაიზარდა 107,5 ათ-იდან 256,1 ათასამდე, კომუნისტური შრომის ბრიგადების რაოდენობა — 8393-იდან 15053-მდე, თითქმის ორჯერ.

კომუნისტური შრომის საწარმო, იხ. *კომუნისტური შრომის კოლექტივები და დამკვრელები.*

კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობა, იხ. *წარმოებითი ურთიერთობა, კომუნიზმი.*

კომუნისტური წარმოების წესი, იხ. *კომუნიზმი.*

კომუტატიურობა მათემატიკაში (გვიანდ. ლათ. commutativus—ცვალებადი < ლათ. commuto — ვცვლი, ვიცვლები), გადანაცვლებადობა, გადანაცვლებადობის კანონი, რიცხვების შეკრებისა და გამრავლების თვისება, რ-იც გამოისახება $a+b=b+a$, $ab=ba$ იგივეობებით. უფრო ზოგადად: $a*b$ მოქმედებას ეწოდება კომუტატიური, თუ $a*b=b*a$. კ-ის თვისება აქვს, მაგ., მრავალწევრების შეკრებასა და გამრავლებას; ვექტორული გამრავლება (იხ. *ვექტორული ნამრავლი*) არ არის კომუტატიური, ვინაიდან $[ab]=-[ba]$.

კომუტატორი (გვიანდ. ლათ. commutator<ლათ. commuto — ვცვლი), გადამრთველი, მანაწილებელი, მოწყობილობა, რ-იც ჩართავს, გამორთავს ან გადართავს ელექტრულ წრედს; იყენებენ ენერგეტიკაში, რადიოტექნიკაში, სატელეფონო და სატელეგრაფო სადგურებში, დისტანციური მართვის სისტემებში და სხვ. კ. ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ტელემექან. და კავშირგაბმ. იმ რთული მოწყობილობებისა, რ-ებსაც ინფორმაციის გადასაცემად იყენებენ. კ-ის მეშვეობით წყვეტენ დაპროგრამებისა და მართვის ამოცანებს ციფრულ გამოთვლითს ტექნიკაში და სხვ.

კ. არის ელექტრომექანიკური, ელექტრონული და ელექტრონულ-სხივური. უმარტივესი ელექტრომექან. კ-ებია *ჩამრაზი*, ელექტრომანქანური *კოლექტორები*, ელექტრომაგნ. *რელეების* ნაკრები და ელექტრომექან. *მაძიებლები*. ა. *ყარყარაშვილი.*

კომუტაცია (ლათ. commutatio—ცვლილება), ფეოდალურ ხანაში გლეხების საბატონო ბეგარისა და ნატურალური ღალის ფულადი რენტით შეცვლა. კ. წარმოიშვა ფეოდ. სოფელში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეჭრის შედეგად. კ. დამახასიათებელია აგრეთვე დას. ევრ. ქვეყნების აგრ. ურთიერთობათათვის.

კომუტაცია ელექტრული წრედებისა, სადენების, კაბელების, მანქანების, ტრანსფორმატორების, აპარატებისა და ხელსაწყოების ელექტრულ შეერთებათა გადართვა. კ. ხდება ელექტროენერგიის მაგენერირებელ, მანაწილებელ და მომხმარებელ დანადგარებში. კ-ს უწოდებენ აგრეთვე წრედში დენის მიმართულების (პოლუსების) შეცვლას. კ-ს თან სდევს გარდამავალი პროცესები, რ-ებიც წარმოიქმნება ელექტრული წრედის შტოებში დენისა და ძაბვის სწრაფი გადანაწილების შედეგად.

კომუჩი, იხ. *დამფუძნებელი კრების წევრთა კომიტეტი.*

კომფორტი (ინგლ. comfort), კეთილმოწყობილი ყოფა-ცხოვრების პირობათა ერთობლიობა; ბინების, საზ. დაწესებულებების, ტრანსპორტის (ავტომობილის, მატარებლის, თვითმფრინავის) და მისთ. კეთილმოწყობილობა.

კომში, ბია (Cydonia), მრავალწლოვანი მცენარის გვარი ვარდყვავილოვანთა ოჯახისა. არსებობს 1 სახეობა—ჩვეულებრივი კ. (C. oblonga). კ. ტანდაბალი ხე ან ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 1,5—5 *მ* აღწევს. ნაყოფი ყვითელია, მსხლისებრი ან ვამლისებრი ფორმა აქვს, შებუსული ან შეუბუსავია. რბილობი მოთეთრო, მოტკბო-მომჟავო ან მუავე, არომატული. შეიცავს (%-ობით): 7,22—15,06 შაქარს, 0,24—1,26 ორგ. მუავებს, 0,18—0,98 პექტინს და სხვ. ამზადებენ მურაბას, კომპოტს, ხილფაფასა და სხვ. კ. ველურად იზრდება კავკასიაში, შუა აზიასა და ირანში. კულტივირებულია თითქმის ყველგან. ამრავლებენ თესლით ან ვეგეტატიურად. საქართველო კ-ის ერთ-ერთი სამშობლოა, აქ ადგილ. წარმოშობის 75 ჯიში არსებობს. საუკეთესო ჯიშებია ლაგოდეხის მსხვილნაყოფა, ქართული მუავე, შილდური საგვიანო, საკომპოტე და სახვ.

დ. შარაშენიძე.

კონაკოვო (1930-მდე კუზნეცოვო), ქალაქი (1937-იდან) რსფსრ კალინინის ოლქში, კალინინინიდან 74 *კმ*. ნავმისადგომი ივანკოვოს წყალსაცავის ნაპირზე. რკინიგზის სადგური. კ-ში არის მ. კალინინის სახ. ქაშანურის ქ-ნა, სრესი. საშენ მასალათა წარმოება. ენერგეტ. ტექნიკუმი. სახელი ეწოდა ამ ადგილის მკვიდრის, რევოლუციონერ პ. კონაკოვის პატივსაცემად.

კონაკრი (Conakry), გვინეის დედაქალაქი, ქვეყნის მთავარი პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცენტრი. მდებარეობს ატლანტის ოკ. სანაპიროზე და კ. ტომბოზე, რ-იც ჯებირით უკავშირდება კალუმის ნ.-კ-ს. პავა ეკვატორულ-მუსონურია. ყველაზე ცივი თვის (აგვ.) საშ. ტემპ-რა 25°C, ყველაზე თბილისა (მაისი) 27,8°C. ნალექები 4300 *მმ* წელიწადში. 530 ათ. მკს. (1976). კ. ვარეუბნებთან ერთად ქმნის განსაკუთრებულ ადმ. ერთეულს, რ-ის სათავეში დგას გუბერნატორი.

სახელწ. „კ." წარმოიშვა იმ სოფლის სახელიდან, სადაც ფრანგ. კოლონიზატორებმა XIX ს. დასასრ. დაიწყეს ნავსადგურისა და თავიანთი სამფლობელოების (დას. აფრიკის ამ ნაწილში) ადმ. ცენტრის აშენებლობა. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ კ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ცენტრი გახდა. 1958-იდან დამოუკიდებელი გვინეის რესპ., 1978 ნოემბრიდან გვინეის სახ. რევ. რესპ. დედაქალაქია.

კ-სა და მის მიდამოებში თავმოყრილია ქვეყნის სამრეწვ. საწარმოთა დიდი ნაწილი: საკონსერვო, ერბო-კარაქის, ლუდის, თამბაქოს, საფეიქრო, ფეხსაცმლის, ავეჯის, ხის დასამუშ., პლასტმასისა და სხვა საწარმოები. სსრკ-ის დახმარებით აშენდა ჟანგბად-აცეტილენის ქ-ნა, მაცივარი და სხვ. კ-ს ნავსადგურის მეშვეობით ხორცი ელდება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დიდი ნაწილი. კ. რკინიგზით უკავშირდება მდ. ნიგერს, საავტ. გზებით — სენეგალს, მალის, ლიბერიას და სპილოს ძვლის ნაპირს. საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი. კ-ს მახლობლად იღებენ ბოქსიტებს.

ქალაქს აქვს დაგეგმარების სწორკუთხოვანი სქემა. 1960-იან წლებში სსრკ-ის ფინანსური დახმარებით და საბჭ. არქიტექტორთა პროექტებით აშენდა პოლიტექ. ინტი, ეროვნ. სტადიონი, სასტუმრო, რადიოცენტრი; გდრ-ის არქიტექტორთა პროექტით—სტამბა. ქალაქში არის ეროვნ. ბ-კა და ეროვნ. მუზეუმი, 10-მდე კინოთეატრი, რამდენიმე კლუბი სასცენო მოედნებით. დიდი სანახაობები იმართება ხალხთა სასახლეში. კ-ში არის ანსამბლები „გვინეის რესპუბლიკის აფრიკული ბალეტი" და „ჯოლიბა". 1960-იდან ყოველწლიურად ტარდება მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერება.

კონალაყუჩიანები, იხ. *ნემსთევზასნაირნი.*

კონან დოილი ა., იხ. *დოილი ა. კ.*

კონგლომერატი (ლათ. conglomeratus—შეჯგუფებული, შემჭიდროებული), სხვადასხვაგვარი რამის (საგნების, მათი ნაწილების, ცნობების, მსჯელობებისა და სხვ.) შექანიკური შენაერთი, უწესრიგო გროვა, ნარევი.

კონგლომერატი (გეოლ.), დანალექი ქანი, რ-იც წარმოადგენს შეცემენტებულ ქვარგვალებს. ქვარგვალის სიდიდე, ჩვეულებრივ, 1—10 *სმ*-ია. შედგენილობით კ. შეიძლება იყოს ერთგვაროვანი (მონომიქტური კ.) და არაერთგვაროვანი (პოლიმიქტური კ.). კ-ის ცემენტს წარმოადგენს რკინის ჟანგეულები, კარბონატები, თიხოვანი მასა, იშვიათად სილიციუმის ორჟანგი. გეოლ. ჭრილში კ-იანი შრეების არსებობა უფრო ძვ. ქანების გაძლიერებული გადარეცხვის მაჩვენებელია.

გ. ჩიხრაძე.

კონგო (Congo; ზაირის რესპ. საზღვრებში — ზაირი), მდინარე ეკვატორულ აფრიკაში. აუზის ფართობითა და წყალუხვობით პირველია აფრიკაში და მეორე მსოფლიოში (მდ. ამაზონის შემდეგ). სიგრძე ლუალაბის სათავიდან 4320 *კმ* (სხვა მონაცემებით 4374 *კმ*), ჩამბეზის სათავიდან 4700 *კმ*-ზე მეტი. აუზის ფართ. 3691 ათ. *კმ*^{2} (სხვა მონაცემებით 3822 ათ. *კმ*^{2}). უერთდება ატლანტის ოკეანეს. კ-ს აუზი მდებარეობს ზაირის (აუზის ფართობის 60%-ზე მეტი), კონგოს, კამერუნის, რუანდის, ბურუნდის, ტანზანიის, ზამბიის, ანგოლისა და ცენტრ. აფრიკის რესპ. ტერიტორიების ფარგლებში. ფიზ. გეოგრაფიულად მოიცავს კონგოს ქვაბულს მისი განაპირა ზეგნებით. კ. ზემოთში (მდ. ლუალაბა) მიედინება ზეგნებსა და პლატოებ-

ზე, კალაპოტი ჭორომიანი აქვს, ეკვატორთან კონგოს ქვაბულში ეშვება და ქმნის *სტენლის ჩანჩქერებს*. შუაწელში ხეობა კონგოს ქვაბულშია ჩაჭრილი და ზოგან დაჭაობებულია. ქვემოთში ჰ. ჰკვეთს სამხრ. გვინეის ზეგანს, სადაც 70-მდე ჭორომი და ჩანჩქერია (ლივინგსტონის ჩანჩქერები) და შესართავში ვრცელ ესტუარს აჩენს. ჰ-ს აუზს ეკუთვნის ტანგანიკისა და კივუს ტბები. ჰ. უმთავრესად საზრდოობს წვიმის წყლით. წლის განმავლობაში აქვს ორი მაქსიმუმი — ჰ-ს ჩრდ. ნახევარსფეროს შენაკადების წყალდიდობა სექტ.-ოქტ-შია, სამხრ. ნახევარსფეროსი — აპრილ-მაისში. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქვემო დინებაში 39 ათ. $მ^3/წმ$, წყალდიდობის დროს (დეკ.) — 60 ათ. $მ^3/წმ$, წყალმცირობის დროს (ივლ.) — 29 ათ. $მ^3/წმ$. მინ. ხარჯი 23 $მ^3/წმ$, მაქს. — 75 ათ. $მ^3/წმ$. საშ. წლ. ჩამონადენი 1230 $კმ^3$ (სხვა მონაცემებით 1453 $კმ^3$). ჰ-ს წლ. მყარი ჩამონადენი შესართავთან დაახლ. 50 მლნ. ტ შეადგენს. ჰ-ს აუზი ჰიდროენერგორესურსების მარაგით I ადგილზეა მსოფლიოში, მაგრამ თითქმის გამოუყენებელია. ჰ-ს აუზის მდ-ები და ტბები სანაოსნოა (წყლის გზის საერთო სიგრძე დაახლ. 20 ათ. *კმ*). საოკეანო გემები ჰ-ში შესართავიდან 138 *კმ*-ზე შედის. ჰ-ს ქვემოთში საზღვაო ნავსადგურებია — მატადი (ავანპორტი ანგო-ანგო), ბომა, ბანანა. ჰ. მდიდარია თევზით. ჰ-ს აუზში არის ალმასის, ოქრის, კალის, სპილენძისა და ურანის საბადოები.

ჰ-ს შესართავი აღმოაჩინა პორტუგ. ზღვაოსანმა დ. კანმა 1482 (სხვა მონაცემებით 1484). ჰ-ს ზემოთი (ლუალაბა) — დ. *ლივინგსტონმა* 1871. ჰ-ს დიდი ნაწილი შეისწავლა ჰ. *სტენლიმ* 1876—77.

კონგო, კ ო ნ გ ო ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ ი რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა, 1971 ოქტ-იდან რესპ. *ზაირი*.

კონგო (Congo), კ ო ნ გ ო ს ს ა ხ ა ლ ხ ო რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა (La République Populaire du Congo), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ფართ. 342 ათ. $კმ^2$. მოსახლ. 1,45 მლნ. კაცი (1978). დედაქალაქი — ბრაზავილი. ოფიც. ენა — ფრანგული. ეროვნ. დღესასწაულია 15 აგვ. — რევ. წლისთავი (1963). ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული. ფულის ერთეულია აფრ. ფრანკი. ადმინისტრაციულად ჰ. იყოფა 9 რ-ნად.

ჰ. რესპუბლიკაა. 1973 კონსტიტუციის მიხედვით საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტსა და ეროვნ. სახ. კრებას (ერთპალატიან პარლამენტს). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რ-იც მინისტრთა საბჭოსაც (მთავრობას) მეთაურობს.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა*.

ბუნება. ქვეყნის სამხრ.-დას. ნაწილში ვიწრო (40—50 *კმ*) ზღვისპირა დაბლობის პარალელურად მიემართება მაიომბეს მთები (სიმაღლე 930 *მ*-მდე), რ-ის აღმ-ით ნიარი—ნიანგის ტექტონ. ღრმულია. ჰ-ს ცენტრ. ნაწილი უჭირავს ბატეკეს პლატოს. ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში კონგოს ღრმულის ბრტყელი, უმეტესად დაჭაობებული ალუვიური ვაკეებია.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ნავთობი, ბუნებრივი აირი, ტყვია-თუთიისა და რკინის მადანი, ოქრო, აქატი, კალიუმის მარილები, ფოსფორიტები.

ჰავა ცხელია. ჩრდ-ით — ეკვატორული, მუდმივნოტიო, სამხრ-ით — სუბეკვატორული. ყველაზე თბილი თვის (აპრ., იშვიათად მარტი) საშ. ტემპ-რა 24-იდან 27°C-მდეა, ყველაზე ცივისა (ივლ. ან აგვ.) 20-იდან 25°C-მდე. ნალექები 1500—2000 *მმ* წელიწადში, უკიდურეს სამხრეთში — 1200—1400 *მმ*.

მდინარეთა ქსელი ხშირია და წყალუხვი. ქვეყნის აღმ. ნაწილის მდ-ები განეკუთვნება მდ. კონგოს აუზს, დას. ნაწილისა— მდ. კვილუს (ზემო დინებაში — ნიარი) აუზს.

მცენარეულ საფარში ჭარბობს ნოტიო მარადმწვანე ეკვატორული და ფოთოლმცვივან-მარადმწვანე სუბეკვატორული ტყეები წითელ-ყვითელ ნიადაგებზე. კონგოს ღრმულში ლატერიტულ-ლეგიონ ნიადაგებზე პერიოდულად დატბორილი და დაჭაობებული ტყეებია. ქვეყნის სამხრ. ნაწილში მეორეული სავანაა წითელ ნიადაგებზე.

ცხოველთა სამყარო მდიდარია. ბევრია მაიმუნი, არის სპილო, ბეჰემოთი, ჯიქი. მრავალფეროვანია ფრინველთა, ქვეწარმავალთა და მწერთა ფაუნა. შექმნილია ეროვნ. პარკი.

მოსახლეობა. ჰ-ს მოსახლეობას შეადგენენ *ბანტუ* ენათა ოჯახის ხალხები. მ. შ. ყველაზე მრავალრიცხოვანია *ბაკონგო, ბატეკე* და სხვ.; ტროპ. ტყეებში ცხოვრობენ ძვ. მოსახლ. — პიგმეების მცირერიცხოვანი ჯგუფები. მოსახლ. ნახევარზე მეტი ძვ. ტრად. რწმენებს აღიარებს, არიან ქრისტიანები და მუსლიმანებიც.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. 81% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში (1977). ჰ. აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე მეჩხრად დასახლ. ქვეყანაა. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა დაახლ. 4 კაცი 1 $კმ^2$-ზე (1977). შედარებით მჭიდროდაა დასახლებული (დაახლ. 20 კაცი 1 $კმ^2$-ზე) ბრაზავილის მიდამოები, ნიარის ხეობა და სანაპირო ზოლი. მნიშვნელოვანი ქ-ებია ბრაზავილი (310 ათ. მცხ., 1977), პუენტ-ნუარი, დოლიზი, ჟაკობი.

ისტორიული ნარკვევი. ევროპელთა კოლონიზაციამდე ჰ-ს ისტორია თითქმის არ არის შესწავლილი. XIX ს. ბოლო მეოთხედში დაიწყო მდ. კონგოს აუზის კოლონ. დაყოფა. 1880 ჰ. საფრ. პროტექტორატი გახდა. 1886 — კოლონია. 1910 ჰ-ს ტერიტ. შევიდა საფრ. ეკვატორული აფრიკის ფედერაციაში. 20-იანი წწ. ბოლოს ჰ-ში გავრცელდა პოლიტ.-რელიგ. მოძრაობა — მატსუანიზმი (ხელმძღვანელის ა. მატსუას სახელის მიხედვით). მატსუანელები იბრძოდნენ საფრ. კოლონ. ბატონობის წინააღმდეგ. მოძრაობა გრძელდებოდა II მსოფლიო ომის შემდეგაც. 1946 ადგილ. მოსახლეობამ მოიპოვა პარტიებისა და პროფკავშირების შექმნის უფლება. 1957 გაფართოვდა აფრიკელთა საარჩევნო უფლებები. 1958 ჰ. გამოცხადდა „ავტონომიურ სახელმწიფოდ"—საფრ. გაერთიანების წევრად კონგოს რესპ. სახელწოდებით მთავრობის მეთაური გახდა აბატი ფ. იულუ, აფრიკელთა ინტერესების დაცვის დემოკრ. კავშირის პარტიის (შეიქმნა 1956) ლიდერი. 1960 წ. 15 აგვ. ჰ. გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1960 წ. 20 სექტ. მიიღეს გაეროში. 1961 წ. 2 მარტს მიიღეს კონსტიტუცია. 1963 აგვ. მასების რევ. მოძრაობის შედეგად ფ. იულუს მთავრობა დაემხო. შეიქმნა დროებითი მთავრობა პრემიერ-მინისტრ ა. მასამბა-დებას მეთაურობით. 1963 წ. 8 დეკ. რეფერენდუმზე ხმების უმრავლესობით მოიწონეს ახ. კონსტ. პროექტი. ეროვნ. კრების არჩევნებმა კი გამარჯვება მოუტანა მასამბა-დებას მეთაურობით შექმნილ რევ. დაცვის ეროვნ. მოძრაობის ორგანიზაციას, რ-იც 1964 გარდაიქმნა ეროვნ. რევ. მოძრაობის პარტიად (ერმ). 1963 წ. 20 დეკ. ა. მასამბა-დება პრეზიდენტად აირჩიეს. 1964 ივნ.-ივლ. ერმ-ის დამფუძნებელმა ყრილობამ აღნიშნა, რომ ჰ. განვითარდება „მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების საფუძველზე". 1964 მიიღეს განვითარების პირველი 5-წლიანი გეგმა (1964—68). 1968 აგვ.-სექტ. მემარცხენე ძალების, მ. შ. პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრების გამოსვლების შედეგად მასამბა-დებას მთავრობა გადადგა. შეიქმნა რევ. ეროვნ. საბჭო (რეს) მ. ნგუაბის მეთაურობით, რ-იც 1969 წ. 1 იანვ. დაინიშნა პრეზიდენტად. ახალმა ხელმძღვანელობამ დაადასტურა ქვეყნის განვითარების: სოციალ. ორიენტაცია. დააყენა სახელმწ. სექტორის განმტკიცებისა და ერმ-ის პარტია-ავანგარდად გარდაქმნის ამოცანები. 1969 დეკ-ში შედგა ერმ-ის მემკვიდრე კონგოს შრომის პარტიის (კშპ) დამფუძნებელი ყრილობა. 1969 წ. 30 დეკ. მიღებული კონსტიტუციით ჰ. გამოცხადდა სახ. რესპუბლიკად (კსრ). 1969—72 განხორციელდა ახ. დემოკრ. გარდაქმნები: მოხდა მიმოსვლის საშუალებათა, ტრანსეკვატორული საგენტოს, კერძო საავტ. გზების, აეროდრომების, ხიდების, ბანკების, უცხო სადაზღვევო კომპანიების და სხვ. ნაციონალიზაცია. 1972 კშპ-ის რიგგარეშე ყრილობამ მიიღო ახ. პროგრამა და გადაწყვეტილებები სახ. მასების ანტიიმპერიალ. საფუძველზე უფრო მტკიცედ შეკავშირებისა და სახელმწიფოს მართვაში მათი ჩაბმის მიზნით. 1973 ივნ-ში მიიღეს ჰ-ს ახ. კონსტიტუცია. 1977 წ. 18 მარტს ტერორისტთა ჯგუფმა მოკლა პრეზიდენტი მ. ნგუაბი. მთელი ძალაუფლება გადაეცა კშპ სამხ. კომიტეტის (სკ) ხელში, რ-მაც 19 მარტს პოლკ. იომბი-ოპანგო დანიშნა სკ თავ-რედ და სახელმწ. მეთაურად. 1977 აპრ. მან გააუქმა კონსტიტუცია და დაითხოვა ეროვნ. სახ. კრება (პარლამენტი). 1979 წ. 26—31 მარტს შედგა კშპ III რიგგარეშე ყრილობა. ყრილობამ კშპ ცკ თავ-რედ აირჩია დენი სასუ-ნგესო. კონსტიტუციის თანახმად, მანვე დაიკავა რესპ. პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს თავ-რის პოსტები.

კსრ-სა და სსრ კავშირს შორის დიპლ. ურთიერთობა დამყარდა 1964.

ეკონომიკა. ჰ. აგრ. ქვეყანაა, რ-ის ეკონომიკა ჯერ არ განთავისუფლებულა კოლონ. მემკვიდრეობისაგან. დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნ. საექსპორტო დარგებს. 1964-იდან გატარდა ღონისძიებანი სახ. მეურნეობაში სახელმწ. სექტორის შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

სოფ. მეურნეობაში მთავარ როლს ასრუ-

კონგოს სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

კონგო

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურები

(ათასი ტონა, 1976)

მანიოკი	610
ბატატი	58
სიმინდი	5
ბრინჯი	5
შაქრის ლერწამი	410
არაქისი	28
კაკაო	5,1
ყავა	1,4

მეცხოველეობა

(ათასი სული, 1975)

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	47
ცხვარი და თხა	115
ღორი	100


კ ო ნ გ ო
ეკვატორული აფრიკის
რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა
კ ა ბ ი ნ ე ლ ი
ბ ო ნ ი
ბ ა ტ ე კ ე
ბ ა ბ ა
ბ ა ბ ა
ბ ა ბ ა



ფმ. ანას ტაძარი. 1949. ბრაზავილი.

ხის ჭურჭელი. ბაკუბის ხალხი. გ. დებენტის კოლექცია. ბრიუსელი.

ხის ჭურჭელი. ბაკუბის ხალხი. გ. დებენტის კოლექცია. ბრიუსელი.

ბაიაკის ხალხის ნიღაბი. ხეპალმის ბოჭკო. კერძო კუთვნილება. ბრიუსელი.

ლებს აფრ. გლეხების წვრილი, ემეტესად სამომხმარებლო მეურნეობები. არის აგრეთვე ევრ. კოლონისტების მაღალსასაქონლო სპეციალიზაციო მეურნეობები და მეცხოველეობის ფერმები. განვითარებულია თევზჭერა (დაახლ. 20 ათ. ტ წელიწადში).

კ-ს მეურნ. მთავარი საექსპორტო დარგია ხე-ტყის მრეწველობა. 1976 დაამზადეს 400 ათ. $მ^3$ ხე-ტყე (მ. შ. დაახლ. 40% — ოკუმე). ხე-ტყის ნაწილს ამუშავებენ ადგილ. სახერხ და ფანერის ქ-ნებში. სასარგებლო წიაღისეული სათანადოდ არ არის ათვისებული. 1976 მოიპოვეს (ათ. ტ): ნავთობი — 2002, კალიუმის მარილები — 423,1, ბუნებრივი აირი — 15,3 მლრ. $მ^3$, ოქრო — 8 კგ, პოლიმეტალები. 1976 აწარმოეს 105 მლნ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია. დამუშავებითი მრეწვ. განვითარების დონე დაბალია. არის კვების (შაქრის, ზეთსახდელი, საფქვავი, თევზსაკონსერვო, ლუდის, ბრინჯსაცეხვი, ყაყის საწმენდი და სხვ.), საფეიქრო, ფეხსაცმლის, საპნის, პლასტმასის ნაკეთობათა, საღებავების, ცემენტის საწარმოები. პუენტ-ნუარსა და ბრაზავილში არის გემთსაშენები, სარკინიგზო და სარემონტო-მექან. სახელოსნოები. რკინიგზის სიგრძეა 966 *კმ*, საავტ. გზებისა — 12 ათ. *კმ*, მ. შ. 535 *კმ* მოასფალტებულია (1977). მთავარი ნავსადგურებია პუენტ-ნუარი და ბრაზავილი. 1976 ექსპორტმა შეადგინა 43,4 მლრდ. აფრ. ფრანკი, იმპორტმა — 40 მლრდ. ექსპორტის 81%-ს შეადგენს ნავთობი და კალიუმის მარილები, 7%-ს — ხე-ტყე და ხე-ტყის მასალა, იმპორტის 50%-ს — მანქანა-მოწყობილობა და სატრანსპ. საშუალებანი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან: საფრანგეთი (ექსპორტის 16%, იმპორტის 47,2%), ევრ. ეკონ. გაერთიანების სხვა ქვეყნები, აშშ.

განათლება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კ. აფრიკაში I ადგილზეა განათლების სისტემაში სასკოლო ასაკის ბავშვთა ჩაბმის საქმეში. წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის საქმეში წარმატებისათვის კ. დაჯილდოებულია იუნესკოს ნ. კრუპსკაიას სახ. პრიზით.

6-წლიანი დაწყ. სკოლა სავალდებულოა 6—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. ზოგადსაგანმან. საშ. სრული სკოლა — ლიციუმი 7-წლიანია (4+3), არასრული— კოლეჟი 4-წლიანია. პროფმომზადების ცენტრები, ტექ. კოლეჯები და ტექ. ლიციუმები სათანადოდ 2-, 5- და 8-წლიანია. 1978 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 260 ათ-ზე მეტი მოსწავლე, საშ. სკოლაში — 35 ათ-ზე მეტი, პროფტექ. სასწავლებლებში — 3 ათ. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს პედ. სასწავლებლები (1978 სწავლობდა 600 მოსწავლე), საშ. სკოლის მასწავლებლებს — ბრაზავილის უმაღლესი ნორმალური სკოლა (1978 სწავლობდა 300-ზე მეტი სტუდენტი). 1961 გაიხსნა კ-ს I უმაღლესი სასწავლებელი — უმაღლესი განათლების ცენტრი ბრაზავილში (1978 სწავლობდა 800-ზე მეტი სტუდენტი). 1000-ზე მეტი კონგოელი სტუდენტი სწავლობს საზღვარგარეთ (სსრკ-ში 300-ზე მეტი კაცი).

სამეცნ.-კვლ. მუშაობას ხელმძღვანელობს სამეცნ. და ტექ. გამოკვლევათა საბჭო (დაარსდა 1966), რ-თანაც შექმნილია მედ., ასტრონ., სატყეო, თევზჭერის, ჰიდროლოგიის, გეოლ., ტექ. და სხვა კომისიები. არის დარგობრივი ინ-ტებიც: აფრ. ინ-ტი, ეთერზეთოვანი კულტურებისა და სხვა ინ-ტები.

1965 ბრაზავილში გაიხსნა ეროვნ. მუზეუმი; მასთან არის არქივი და ბ-კა.

კულტურა. წერილობითი ლიტ-რა გაჩნდა მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ. ლიტ. ენებია ფრანგ. და ლინგალა.

კ-ს პირველი პოეტი ჟ. ფ. ჩიკაია (დ. 1931, ცხოვრობს პარიზში) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1948. ავტორია ლექსთა კრებულებისა, გამოსცა პროზაულად დამუშავებული „აფრიკული ლეგენდები" (1968). განიცადა ფრანგ. სიურრეალიზმის გავლენა. აღსანიშნავია ანტიკოლონ. ლექსების ავტორის მ. სინდასა და ჟ. ვ. ტატი-ლუტარის შემოქმედება. მეგობრობის, თანასწორობის, დისკრიმინაციისა და რასობრივი უთანასწორობის პრობლემებია წამოჭრილი ჟ. მალონგას (დ. 1907) რომანებსა და ა. ლოპესის (კკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი) მოთხრობების კრებულში. დრამატურგთაგან აღსანიშნავია ფ. მუანგასა და ლ. ამბილი.

ხალხ. საცხოვრებელი კ-ში ძირითადად ორფერდა სახურავით გადახურული გეგმით სწორკუთხა ქოხებია. XIX ს. II ნახევრიდან ქ-ებში შენდება ევრ. ტიპის სახლები. სახვ. ხელოვნებაში ჭარბობს ხის კვეთილი ქანდაკება და ნიღბები. მხატვრული ხელოსნობის ძირითადი სახეა კვეთა (ხის ნივთებზე, თიხისა და გოგრისაგან დამზადებულ ჭურჭელზე). თანამედროვე ხელოვნებაში გამოირჩევა ფერწერული სკოლა — პოტო-პოტოს სახელოსნოს (1951 დააარსა ფრანგმა ფერმწერმა და ეთნოგრაფმა ჰ. ლოდსმა) ნამუშევრები, რ-ებშიც გამოყენებულია ადგილ. ხალხ. ტრადიციები.

კ-ს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მუს. კულტურის ჟანრობრივსა და სტილურ თავისებურებებს სათავე შორეულ წარსულში აქვს. მუს. ფორმები ძირითადად ხალხის შრომით საქმიანობასთან — მონადირეობასა და მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული. ფრანგ. კოლონიალიზმის პერიოდში მნიშვნელოვნად შეფერხდა ეროვნ. მუსიკის განვითარება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1960) აფრ. ხალხ. მუსიკისადმი ინტერესი იზრდება. მუს. საკრავებიდან გავრცელებულია სხვადასხვა ფორმის დოლები — ტოკუ, ლოკუკა, ლუნგუნგუ; აფრ. პიანინო — სანსა; სიმებიანი საკრავები — მუს. მშვილდი, ლირა, აფრ. ციტრა; სასულე-რქები, ფლეიტები, საყვირები. 60—70-იანი წწ. დასაწყისში სოც. და პოლიტ. ძვრებმა გამოხატულება პოვა კ-ს მუსიკაში. თანამედროვე მუსიკისათვის დამახასიათებელია ახ. ფორმები (რ-ებიც ავითარებს აფრ. მუსიკის საფუძვლებს), იყენებენ ევრ. საკრავებს. შეიმჩნევა ამერ. ჯაზისა და ლათ. ამერ. მუსიკის გავლენა.

კ-ში ძველთაგანვე დგამდნენ სიუჟეტიან (სადირობა, თევზობა, მკა და სხვ.) ქორეოგრაფიულ წარმოდგენებს. თეატრ. ხელოვნება განვითარდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1960). შეიქმნა ეროვნ. დრამატურგია, სცენისმოყვარეთა კოლექტივები, თანამედროვე ევრ. ტიპის თეატრი (მ. შ. კონგოს ეროვნ. თეატრი, ქ. ბრაზავილი, 1965). 1966 ჩაეყალიბდა ეროვნ. საბალეტო ანსამბლი, ასრულებდა ტრად. ხალხ. ცეკვებს.

ლიტ.: В ритмах там-тама. Поэты Африки, вступ. ст. Е. Гальпериной, М., 1961; Григорович Н., Искусство Пото-Пото, «Искусство», 1965, № 1; Михайлов Дж., Удивительный мир африканской музыки, [Пер.: Африка ещё не открыта, [М., 1967]; Субботин В. А., Французская колониальная экспансия в конце XIX в. (Экваториальная Африка и острова Индийского океана), М., 1962.

კონგრეგაცია (ლათ. congregatio—კავშირი, გაერთიანება) კათოლიკობა-ში, 1. მონაზვნურ ორდენთან უშუალოდ დაკავშირებული (ნაწილობრივ საერო პირთაგან შემდგარი) რელიგიური ორგანიზაცია. ზოგიერთ მონაზვნურ ორდენთან არსებობს მრავალი კ. ყოველ კ-ს აქვს პაპისაგან ან ეპისკოპოსისაგან დამტკიცებული წესდება. კ-ის წევრები დებენ არა „საზეიმო" აღთქმას (როგორც მონაზვნური ორდენის წევრები), არამედ „უბრალოს"—განსაზღვრული დროით, ან სამუდამოდ. კ-ის მიზანი ნომინალურად წმინდა რელიგ. ან რელიგ.-საქველმოქმედოა, ფაქტობრივად კი ისინი კათოლ. ეკლესიების პოლიტ. გეგმების გამტარებელი არიან. კ-ები აღმოცენდა XVI—XVII სს-ში, ფართოდ გავრცელდა XIX ს-ში. 2. რამდენიმე მონასტრის გაერთიანება ერთიანი მმართველობის ქვეშ. 3. *რომის კურიაში* შემავალი დაწესებულებები.

კონგრეგაციონალისტები, კალვინიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა. აღმოცენდა ინგლისში XVI ს. II ნახევარში როგორც რადიკალური მიმდინარეობა პურიტანიზმში. დამაარსებელთაგან ყველაზე გამოჩენილია რ. ბრაუნი (აქედან კ-ის მე-2 სახელწოდება ბრაუნისტები). *ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის* (XVII ს.) დროს პოლიტ. პარტიის მნიშვნელობა მიიღო (იხ. *ინდეპენდენტები*).

ჰ. ინგლისის გარდა არიან აშშ-ში. მათი საერთო რაოდენობა დაახლ. 2 მლნ. 1891 დაარსდა საერთაშ. კონგრეგაციონალისტური საბჭო. კ. მონაწილეობენ *ოიკუმენურ მოძრაობაში.*

კონგრესი (<ლათ congressum—შეხვედრა, კრება), 1. საერთაშორისო არამთავრობითი (საზოგადოებრივი) ორგანიზაციის კრება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის საზ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრება (მაგ., მეცნიერთა კ., მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კ.). წარსულში უპირატესად აღნიშნავდა სახელმწიფოების ხელმძღვანელთა საერთაშ. შეხვედრას (მაგ., ვენის კ., პარიზის კ.). 2. საკანონმდებლო ორგანოს ან მისი ერთ-ერთი პალატის სახელწოდება ზოგიერთ სახელმწიფოში (აშშ, ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, კოლუმბია, მექსიკა და სხვ.). საფრანგეთში კ. ეწოდება პარლამენტის ორივე პალატის გაერთ. სხდომას. კ. ზოგიერთი პოლიტ. პარტიის სახელწოდებაცაა (მაგ., ინდოეთის ეროვნ. კონგრესი).

კონგრესის ბიბლიოთეკა (The Library of Congress), აშშ-ის ეროვნული ბიბლიოთეკა, ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში. დააარსა 1800 აშშ-ის კონგრესმა ვაშინგტონში. ემსახურება უმთავრესად მთავრობის ორგანოებს, სამეცნ. დაწესებულებებს, მეცნ. მუშაკებს, კერძო ფირმებსა და საწარმოო კომპანიებს.

1978 ბ-კის საერთო ფონდში იყო 15 მლნ-მდე წიგნი და ბროშურა, 132 ათ-ზე მეტი ტომი აკინძული გაზეთი, 29 მლნ-ზე მეტი ხელნაწერი ერთეული, 3,3 მლნ. სანოტო-მუს. ლიტ-რის ერთეული, 3 მლნ-ზე მეტი გეოგრ. რუკა, დიდი რაოდენობით კინოფილმები, ფოტოჩანაწერები, მიკროფილმები და სხვ. ბ-კის ყოველწლიური ნამატია 1-იდან 3 მლნ-მდე საცავი ერთეული, ფონდები თითქმის უნივერსალურია (გარდა სამედ. და სას.-სამ. ლიტ-რისა, რაც შეესაბამის ეროვნ. ბ-კებში ინახება), განსაკუთრებით სრულად არის წარმოდგენილი სამართლის, ისტ., ფილოლ., პოლიტ., საბუნებისმეტყველო და ტექ. მეცნიერებათა დარგების ლიტ-რა, აგრეთვე საცნობარო-ბიბლიოგრაფიული გამოცემები. ბ-კაში დაცულია 5,5 ათ. ინკუნაბული, ტ. ჯეფერსონის და აშშ-ის სხვა პრეზიდენტების პერსონალური ფონდები თავისი კატალოგებითურთ, ჩინ. (330 ათ. ტ.) და იაპ. (450 ათ. ტ.) ლიტ. ნაწარმოებთა კოლექცია, იშვიათ ამერ. გამოცემათა კოლექცია (60 ათ. ტ.). 1907 ბ-კამ შეიძინა კრასნოიარსკელი ვაჭრის ბიბლიოფილ გ. იუდინის 41 ათ. ცალი წიგნი და ჟურნალი, ძირითადად რუს. ისტ. დარგში (ამჟამად კ. ბ. ითვლის 300 ათ. გამოცემას რუს. ენაზე; მის ფონდებში დაცულია აგრეთვე ლიტ-რა ქართ. ენაზე). ბ-კას აქვს 18 სამკითხველო დარბაზი 1460 სამკითხველო ადგილითურთ. მისი ბიბლიოგრაფიული გამოცემებიდან მნიშვნელოვანია „ეროვნული ერთიანი კატალოგი" („The National Union Catalog"), რ-იც 1958-იდან გამოდის ყოველთვიურად და აშშ-ის ბ-კებში დაცული წიგნების გაერთ. კატალოგი (610 ტ.).

კონგრივი (Congreve) უილიამ (10. II. 1670 ან 1672, ბარდზი, იორკშირი,—19. I.

1729, ლონდონი), ინგლისელი დრამატურგი. აგრძელებდა ელისაბედის ეპოქის დრამატურგიის ტრადიციებს; ერთგვარად შეაჯამა ე. წ. „რესტავრაციის კომედიის" ციკლი. კ-ის კომედიებისათვის („ბერბიჯი", 1693; „ორმაგი საქმოსანი", 1694; „სიყვარული სიყვარულის წილ", 1694 და სხვ.) დამახასიათებელია თავისებური გალანტური პრეციოზულობა, მახვილსიტყვაობა, კალამბურები. კ-ს ეკუთვნის აგრეთვე რომანები, ტრაგედია, ოდები და მრავალი თარგმანი.

კონგრუენტობა (< ლათ. congruens, ნათ. ბრ. congruentis — თანაშეზომილი, შესაბამისი, თანამთხვევადი), გეომეტრიული ტერმინი, რ-საც ელემენტარულ გეომეტრიაში ფიგურების ტოლობის აღსანიშნავად იყენებენ. კ-ის ცნება შეიძლება მივიღოთ ელემენტარული გეომ. ერთ-ერთ ძირითად ცნებად. კ-ის თვისებები ამ შემთხვევაში შეიძლება დახასიათდეს შესაბამისი აქსიომებით, რ-თაც კ-ის აქსიომები ეწოდება. თუ ძირითად ცნებად ჩავთვლით მოძრაობას, მაშინ კ-ის ცნება შემდეგნაირად განისაზღვრება: ორ ფიგურას ეწოდება კონგრუენტული, თუ ერთ-ერთი მათგანის მეორეში გადაყვანა შეიძლება მოძრაობის საშუალებით.

კონდა, მდინარე რსფსრ ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ავტ. ოკრუგში. მდ. ირტიშის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 1097 *კმ*, აუზის ფართი. 72800 *კმ*². მიედინება დას. ციმბ. ვაკის დას. კიდეზე. ძლიერ დაკლაკნილია. კ-ის აუზში ბევრი ტბაა. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავიდან 164 *კმ*-ზე 231 *მ*³/*წმ*, იცის ხანგრძლივი წყალდიდობა. იყინება ოქტ.-ნოემბერში, ყინულძვრა აპრილ-მაისშია. კ-ის აუზშია შაიმის ნავთობის საბადო.

კონდაკი (ბერძნ. kontakion<kontos — ჯოხი), ეამისწირვა, ბიზანტიური საეკლესიო პოეზიისა და მუსიკის ჟანრი. მისი ფუძემდებელია რომანოზ მელოდოსი (VI ს. I ნახ., მიეწერება 1000-ზე მეტი საგალობელი, რ-თაგან, ცნობილია 85-მდე). VIII ს-ში კ. განდევნა *კანონმა*. ამავე დროიდან იწყება კ-ის მელოდიკის განვითარება და სტროფების რაოდენობის შემცირება. XI ს-ში კ-ის მელოდიკა იძენს მელიზმურ ხასიათს. კ. ეწოდება აგრეთვე ლიტურგიულ კრებულს, რ-იც შეიცავს წირვის წესსა და ღვთისმსახურების სხვადასხვა რიტუალთან დაკავშირებულ ლოცვებს. ტექსტი იწერებოდა ერთმანეთზე გადაკერებული ეტრატის ვიწრო ფურცლებზე, რ-საც ჯოხზე ახვევდნენ. აქედან წარმოდგა კ-ის სახელწოდებაც. X ს-იდან სამღვდელო კ-გან განსხვავებით შეიქმნა მაღალი რანგის სამღვდელო პირთათვის განკუთვნილი კრებული, რ-საც არქიერატიკონს უწოდებდნენ (XI ს. ხელნაწერი, ხელნაწ. ინ-ტი, A-86).

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე. Древне-грузинский ирмологион, Тфл., 1912; მ ი ს ი ვ ე. Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия). Тфл., 1912.

კონდაკოვი ნიკოდიმე პავლეს ძე [1 (13). XI. 1844, სოფ. ხალანი, ნოვი-ოსკოლის მაზრა, კურსკის გუბ.,—17. II. 1925, პრაღა], რუსი ხელოვნების ისტორიკოსი. მუშაობდა უმთავრესად ბიზანტიური, ძველი რუს. ხელოვნ. ძეგლების შესწავლაზე. პეტერბ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1898), პეტერბ. სამხატვრო აკად. წევრი (1893). სწავლობდა მოსკ. უნ-ტში (1861—65). ასწავლიდა ოდესის, ნოვოროსიის (1870—88) და პეტერბურგის (1888—1917) უნ-ტებში. 1920-იდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ, 1922-იდან ასწავლიდა პრაღის უნ-ტში. დაამუშავა ხელოვნ. ნაწარმოებთა შესწავლის იკონოგრაფიული მეთოდი, ანალიზი გაუკეთა ძეგლთა ტიპოლოგიურ თავისებურებებს, ახსნა ამ თავისებურებათა მიზეზები და მნიშვნელობა. სწავლობდა ქართ. ძეგლებს, აინტერესებდა მათი მიმართება ბიზანტ. კულტურასთან. ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, ქართ. ხელოვნების შესწავლა მაღალ მეცნ. დონეზე აიყვანა. მისი ნაშრომი „საქართველოს ზოგიერთ ტაძარსა და მონასტერში დაცული სიძველეთა ძეგლების აღწერილობა" (დ. ბაქრაძის თანამშრომლობით) დღესაც ინარჩუნებს გარკვეულ მეცნ. ღირებულებას.

თხზ.: Древняя архитектура Грузии, М., 1876; Иконография Богоматери, т. 1—2, СПб., 1914—15; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890 (ქართ. წარწერების განმარტება დ. ბაქრაძისა).

ლიტ.: ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ნიკოდიმე კონდაკოვი (1844—1925), მისი სამეცნიერო მოღვაწეობის მიმოხილვა, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1926, ტ. 6.

კონდამინი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, კოზმასა და დამიანეს გამოქვაბული სამონასტრო კომპლექსი სოფ. კისისხევიდან (თელავის რ-ნი) დაახლ. 6 *კმ*-ზე. მდ. კისისხევის მარცხ. ნაპირის ფლატეზე შემორჩენილია VI—VII სს. *სამეკლესიანი ბაზილიკა*. ნაგებობა მარტივია. სამივე ეკლესია ერთმანეთის მიყოლებით არის განლაგებული. ნაგებია რიყის ქვით. შენობის კუთხეები. სარკმლისა და კარის საპირეები, იმპოსტები და ზოგი თაღი მოყვითალო ფერის შირიმის ქვისაა. მაღალი და ფართო მთავარი ეკლესია დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-ის კუთხეებიც ასევე შირიმის ქვითაა ამოყვანილი. კამარა ჩამოქცეულია. ჩრდ. ნავში გამოყოფილია სათავსი სამსხვერპლოსათვის.

„კონდახი", ქართული საოხუნჯო კარიკატურებიანი ალმანახი; გამოდიოდა 1913 თბილისში. გამოიცა 2 ნომერი. კარიკატურები ეკუთვნით ო. შმერლინგსა და როტერს. გამომცემელი — ა. ხუდავერდოვი.

კონდე (Condé) ლუი II ბურბონი (Bourbon) (8. IX. 1621, პარიზი, — 11. XII. 1686, ფონტენბლო), ფრანგი მხედართმთავარი. 1646-ჩდე ანგიენის ჰერცოგი, შემდეგ პრინცი კონდე. *ოცდაათწლიანი ომის* (1618—48) დროს საფრ. ჯარებმა მისი სარდლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ესპანეთზე როკრუასთან (1643), აგრეთვე ფრაიბურგთან, ნერდლინგენთან (1644—45), დიუნკერკთან (1646) და ლანსთან (1648). *ფრონდის* დასაწყისში სარდლობდა მთავრობის ჯარებს, შემდეგ მეთაურობდა ფეოდ. ოპოზიციას და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. 1668 (*დევოლუციური ომის* დროს) დაიპყრო ფრანშ-კონტე. 1672—75 წარმატებით ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს საფრ.-ჰოლანდ. ომში (1672—78).

კონდენსატორი (<ლათ.condenso— ვამკვრივებ, ვასქელებ), აირისებრი (ორთქლისებრი) მდგომარეობიდან თხევად ან მყარ მდგომარეობაში ნივთიერების გადასაყვანი აპარატი; ფართოდ იყენებენ ქიმ. ტექნოლოგიაში, მუშა ნივთიერების *კონდენსაციისათვის* ენკუთვნილ თბოენერგეტ. და სამაცივრო დანადგარებში, დისტილატის მისაღებ, ორთქლის ნარევების განსაცალკევებელ დანადგარებში და ა. შ., ორთქლის კონდენსაცია კ-ში ხდება მყარი სხეულის (ზედაპირული კ.) ან სითხის (კონტაქტური კ.) ზედაპირთან შეხების შედეგად (ორივე შემთხვევაში შეხების ზედაპირის ტემპ-რა უფრო დაბალია, ვიდრე ორთქლის ჯაჯერების ტემპ-რა მოცემული წნევის დროს). ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ი კ. ჰორიზ. ან ვერტ. მილების კონაა. მაცივებელი გარემო (წყალი, მარილხსნარი, ჰაერი) მიედინება მილებში, ორთქლი კი შედის მილებს შორის მოქცეულ სივრცეში და კონდენსირდება მათ გარე ზედაპირზე, ან — პირიქით. ამ სახის კ-ს იყენებენ წმინდა კონდენსატის მისაღებად. თუ ორთქლის კონდენსაციის დროს სითხე წარმოიქმნა, იგი ჩამოედინება ზედაპირიდან სიმძიმის ძალის ზემოქმედებით ან წაიტაცება მოძრავი ორთქლით. მყარი ფაზის (მაგ., ყინულის) წარმოქმნის შემთხვევაში იგი პერიოდულად იწმინდება ხპეც. მოწყობილობით. კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ კ-ში წარმოქმნილი კონდენსატი შეერევა მაცივებელ სითხეს და მასთან ერთად იქნება არინებული. ორთქლისა და სითხის მოძრაობის ურთიერთმიმართულების შესაბამისად კ. არის პირდაპირი დინების, წინაღდენიანი ან ჯვარედინდენიანი. კონდენსატი კ-იდან ჩვეულებრივ ტუმბოთი გაიწოვება, ხოლო არაკონდენსირებადი აირები—ვაკუუმ-ტუმბოთი. ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად კ-ს უკეთებენ რიგ დამხმარე მოწყობილობას, რ-ებთან ერთად იგი ქმნის საკონდენსაციო დანადგარს.

კონდენსატორი ე ლ ე ქ ტ რ უ ლ ი, დიელექტრიკით გარემოცული ორი ან რამდენიმე ელექტროდის (შემონაფენის) სისტემა, რ-საც აქვს ელექტრული მუხტისა და შესაბამისი ელექტრული ენერგიის დაგროვების უნარი, იყენებენ ელექტრული ტევადობის შესაქმნელად. ტევადობას (*C*) განსაზღვრავენ ერთ შემონაფენზე დაგროვილი მუხტის (*q*) ფარდობით კ-ზე მოდებულ ძაბვასთან (*U*): $C=\frac{q}{U}$.

LC-ის სისტემის მიხედვით, ტევადობა ფარადებით იზომება, $1ფ=1კ/ვ$, ბაგრამიმის გამო, რომ ფარადა მეტად დიდი ერთეულია (მაგ., ტევადობა დედამიწის სფეროსი, რ-ის დიამეტრი 12757 *კმ*-ა, 0,000708 *ფ* უდრის), პრაქტიკაში იყენებენ უფრო პატარა ერთეულებს — მიკროფარადასა და პიკოფარადას $1ფ=10^6$ *მკფ*$=10^{12}$ *პფ*.



კონდენსატორი (ელექტრული). ცვლადი ტევადობის საჰაერო კონდენსატორი: 1—სტატორი; 2—როტორი.

დამუხტული კ-ის ელექტრული ველის ენერგია $W_ე=\frac{CU^2}{2}=\frac{q^2}{2C}$, თუ დიელექტრიკული შეღწევადობა (ε) მუდმივი სიდიდეა, კ-ის ტევადობას განაპირობებს მხოლოდ მისი გეომ. ზომები და გარემოს ელექტრული თვისებები. ყველაზე მეტად გავრცელებულია ბრტყელი და ცილინდრული კონსტრუქციის კ-ები; იყენებენ კონუსურ, სფერულ, სპირალურ და სხვა კ-ებსაც. ბრტყელი კ-ის ტევადობა $C=0{,}0884\frac{\varepsilon S}{d}$ *პფ*; *S* არის შემონაფენის ფართობი (*სმ*²), *d*—მათ შორის მანძილი (*სმ*). ცილინდრული კ-ის ტევადობას გამოითვლიან ფორმულით: $C=0{,}241\frac{\varepsilon l}{\lg\frac{D_2}{D_1}}$ *პფ*.



ელექტრული კონდენსატორის ტიპები. დაბალძაბვიანი კერამიკული: ა — დისკოსებრი, ბ—მილისებრი, მაღალძაბვიანი კერამიკული: გ—კასრისებრი, დ—ქოთნისებრი. 1—გამომყვანი; 2—ფურცლის შემონაფენები; 3—კერამიკის მოჭიქული ზედაპირი. ე—ელექტროლიტური: 1—დადებითი პოლუსი; 2—ქაღალდის შუასადები; 3 — ალუმინის დაუჟანგავი კილიტა (კათოდი); 4—ალუმინის დაჟანგული კილიტა (ანოდი); 5—უარყოფითი პოლუსი.

l ცილინდრული შემონაფენების სიგრძეა (*სმ*), D_1—გარე შემონაფენის შიგა დიამეტრი, ხოლო D_2 — შიგა შემონაფენის გარე დიამეტრი.

სხვადასხვა სიდიდის ტევადობათა მისაღებად ელექტრულ წრედებში კ-ებს ჯგუფებად აერთებენ პარალელურად, მიმდევრობით ან შერეულად (კ-ების ბატარეა). პარალელურად შეერთებული კ-ების ჯგუფის საერთო ტევადობა ცალკეული კონდენსატორების ტევადობათა ჯამის ტოლია: $C=\sum_{k=1}^{n}C_k$. მიმდევრობითი შეერთების დროს საერთო ტევადობის შებრუნებული სიდიდე უდრის ბატარეაში შემავალი კ-ების ტევადობათა შებრუნებული სიდიდეების ჯამს: $\frac{1}{C}=\sum_{k=1}^{n}\frac{1}{C_k}$. შერეული შეერთება მიმდევრობითი და პარალელური შეერთების კომბინაციაა.

კ-ებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ მთავარი ელემენტის — დიელექტრიკის — მიხედვით. მუდმივი ტევადობის კ-ების დიელექტრიკი შეიძლება იყოს: აირი (ჰაერიანი, აირით შევსებული და ვაკუუმიანი კ-ები); თხევადი ნივთიერება; მყარი არაორგ. ნივთიერება (მინიანი, ქარსიანი, კერამ. და არაორგ. აფსკის მქონე კ-ები);



კონდენსატორიანი ასინქრონული ძრავა

ნახ. 1. კონდენსატორიანი ასინქრონული ძრავას სქემა (I) და ვექტორული დიაგრამა (II): U, $U_ბ$, U_c — ძაბვები; $I_ა$, $I_ბ$ — დენები; ა, ბ — სტატორის გრაგნილები; გ — ცენტრიდანული ამომრთველი C_1-ის გამოსართავად ძრავას გაქანების შემდეგ; C_1 და C_2—კონდენსატორები.



ნახ. 2. „ვარსკვლავის" (I) ან „სამკუთხედის" (II) სქემით შეერთებული სტატორის გრაგნილებიანი სამფაზიანი ასინქრონული ძრავას ერთფაზიან ქსელში ჩართვის სქემა: J_1 და J_2—ამომრთველები: $C_ბ$ — მუშა კონდენსატორი; $C_ა$ —ამუშაჟების კონდენსატორი; ad—ასინქრონული ელექტროძრავა.

მყარი ორგ. ნივთიერება (ქაღალდიანი, ლითონქაღალდიანი, აფსკიანი, კომბინირებული კ-ები), ელექტროლიტი (ალუმინიანი, ტანტალიანი, ნიობიუმიანი, ტიტანიანი კ-ები).

კ-ებს განასხვავებენ აგრეთვე მუშაობის რეჟიმის, ძაბვის სიდიდისა და გამოყენების სფეროს მიხედვით. შესაბამისად ამისა, არის მაღალი ძაბვის (500 ვ-ზე ზევით) და დაბალი ძაბვისა, მფილტრავი, დამცავი, იმპულსური და სხვა სახის კ-ები.

ცვლადი ტევადობის კ-ების სიდიდე შეიძლება ვმართოთ მექანიკურად (აირიანი, თხევად და მყარნივთიერებებიანი კ-ები) ან ელექტრულად (სეგნეტოკერამ. და ნახევრადგამტარიანი კ-ები).

კ-ების შემონაფენების მასალად უმთავრესად ხმარობენ ლითონის (ალუმინი, სპილენძი, კალა, ტანტალი) კილიტას, სპეც. დანიშნულების კ-ებში იყენებენ აგრეთვე თხევადი ან ბლანტი ელექტროლიტისა და ნახევრადგამტარიანი მასალის შემონაფენებს. დიელექტრიკსა და შემონაფენებს შორის საჰაერო ღრეჩო რომ არ წარმოიქმნას, დიელექტრიკის ზედაპირს უშუალოდ ფარავენ ლითონის თხელი შრით.

კ-ების მთავარი პარამეტრები. კ-ის კორპუსზე ან სათანადო დოკუმენტაციაში აღნიშნულია მისი **ნომინალური ტევადობა**, რ-ისგანაც **ნამდვილი ტევადობა** შეიძლება განსხვავდებოდეს დასაშვები **გადახრის** (**დაშვების**) სიდიდით (Δ%). იგივე სიდიდე განსაზღვრავს კ-ის სიზუსტის კლასს. უმთავრესად იყენებენ I, II და III კლასის კ-ებს. კ-ის **ნომინალური ძაბვა** უდიდესი მუდმივი ძაბვაა, რ-ითაც კ. ნორმალურ პირობებში ხანგრძლივად და საიმედოდ მუშაობს მოაკარი პარამეტრების შეუცვლელად. კ-ის **ფაქტობრივი ანუ სამუშაო ძაბვა** შეიძლება ნომინალურზე ნაკლები იყოს, მას კი არ უნდა აღემატებოდეს. იზოლაციის საიმედოობას განსაზღვრავს **გამრღვევი ძაბვა**, რ-იც არღვევს კ-ს, დიელექტრიკის სიმტკიცეს კი — **გამოსაცდელი ძაბვა** (1,5—3-ჯერ აღემატება ნომინალურ ძაბვას). ასეთ ძაბვას კ. უძლებს 5 *წთ*-იდან 1 *წთ*-მდე (შემდეგ დიელექტრიკი ირღვევა).

იზოლაციის წინაღობა მუდმივი დენის მიმართ განსაზღვრავს კ-ის საიმედოობას. მისი სიდიდე დამოკიდებულია დიელექტრიკის ხარისხზე (ნორმალურ პირობებში იგი რამდენიმე ათასი *მეგომ*-ის ტოლია). ელექტროლიტურ კ-ს იზოლაციის წინაღობის ნაცვლად ახასიათებს **გაჟონვის დენის სიდიდე**, რ-იც შემონაფენებზე მოდებული მუდმივი ძაბვისა და იზოლაციის წინაღობის ფარდობის ტოლია. 1 *მკფ*-ზე მეტი ტევადობის კ-ების დამახასიათებელი სიდიდეა **დროის მუდმივა**, ტევადობისა და იზოლაციის წინაღობის ნამრავლი (ანუ დრო, რ-ის განმავლობაში კ-ის თვითგანმუხტვის პერიოდში ძაბვა შემონაფენებზე საწყის მნიშვნელობასთან შედარებით 2,72-ჯერ მცირდება). დროის მუდმივას განმსაზღვრელია დიელექტრიკის ხარისხი. როცა დიელექტრიკი არასრულყოფილია, მისი გაბურების დროს იკარგება ენერგიის ნაწილი, რ-ის სიდიდეს დიელექტრიკული დანაკარგის კუთხის ტანგენსით (tgδ) განსაზღვრავენ; δ=90°—φ, სადაც φ ძვრის კუთხეა კ-ის ცვლად ძაბვასა და დენს შორის, იდეალური კ-თვის φ=90°, ე. ი. δ=0. მაღალი სიხშირის კერამ. კ-თვის tgδ≤0,0012 — 0,0025, ქაღალდიანი კ-თვის tgδ≤0,01 (თუ სიხშირე 1 *კ ჰც*-ია), ელექტროლიტური კ-თვის tg δ=0,1—0,2 (როცა სიხშირე 50 *ჰც*-ია).

მაღალი ძაბვისა და სიხშირის წრედებში მუშაობის დროს კ-ში გამოიყოფა **ზღვრული რეაქტიული სიმძლავრე**, რ-იც ძაბვის კვადრატის, ტევადობისა და სიხშირის პროპორციულია. იგი იწვევს კ-ის გადამეტხურებას, რაც აჩქარებს მის გამოსვლას მწყობრიდან.

ტევადობის ციკლურ (შექცევად) დამოკიდებულებას ტემპ-რასთან ახასიათებენ **ტევადობის ტემპერატურული კოეფიციენტით**, რ-ითაც ადგენენ, თუ რამდენი მემილიონედით იცვლება კ-ის ტევადობა, როცა გარემოს ტემპ-რა 1°C-ით იცვლება. უსასრულოდ დიდია იდეალური კ-ის წინაღობა მუდმივი დენის მიმართ, ცვლად დენს კი იგი **რეაქტიულ-ტევადობით წინაღობას** უწევს. ეს წინაღობა უკუპროპორციულია ტევადობისა და დენის ცვლილების სიხშირისა: $x_c=\frac{1}{2\pi fC}$.

მაღალი სიხშირის წრედებში მომუშავე კ-ების ერთ-ერთი მახასიათებელია აგრეთვე მცირე სიდიდის **საკუთარი ინდუქციურობა**.

კ-ებს ფართოდ იყენებენ ელექტრონიკაში, რადიოტექნიკასა და კავშირგაბმულობაში, ელაზერულ და გამოთვლითის ტექნიკაში, ელექტროენერგეტიკაში და ა. შ.

ლიტ.: Михайлов И. В., Пропошин А. И., Конденсаторы, 2 изд., М., 1973; Незнайко А. П., Гелькман Б. Ю., Конденсаторы и резисторы, М., 1974; Ренне В. Т., Электрические конденсаторы, 3 изд., Л., 1969; Силовые электрические конденсаторы, М., 1975.

გ. ჩიქოვანი.

კონდენსატორიანი ასინქრონული ძრავა, 1. *ასინქრონული ელექტროძრავა*, რ-იც იკვებება ერთფაზიანი ქსელიდან. იყენებენ მცირე სიმძლავრის ელექტროამძრავებში. კ. ა. ძ-ს სტატორზე აქვს 2 გრაგნილი; ერთი უშუალოდ ქსელშია ჩართული, მეორე კი — თანმიმდევრულადაა ჩართული ელექტრული კონდენსატორთან მბრუნავი მაგნ. ველის შესაქმნელად. კონდენსატორები იწვევს ფაზათა გადანაცვლებას ა და ბ გრაგნილების დენებს შორის (ნახ. 1); გრაგნილთა ღერძები კი გადაწეულია სივრცეში. კ. ა. ძ. ამუშავებისა და მუშა მახასიათებლებით უახლოვდება სამფაზიან ასინქრონულ ძრავას. 2. სამფაზიანი ასინქრონული ელექტროძრავა, რ-საც კონდენსატორის შეშვეობით ერთფაზიან ქსელში ჩართავენ. კონდენსატორის მუშა ტევადობა სამფაზიანი ძრავასათვის განისაზღვრება ფორმულებით:

$$G_ბ=2800\frac{1}{U}(\text{მკფ})$$

[თუ გრაგნილები შეერთებულია „ვარსკვლავის" სქემით] ან $G_ბ=4800\frac{1}{U}(\text{მკფ})$

[თუ გრაგნილები შეერთებულია „სამკუთხედის" სქემით] (ნახ. 2).

კონდენსაცია (გვიანდ. ლათ. condensatio—შესქელება), ნივთიერების გადასვლა აირისებრი მდგომარეობიდან თხევადში ან მყარში მისი გაცივების ან შეკუმშვის შედეგად. ორთქლის კ. შესაძლებელია მოცემული ნივთიერებისათვის მხოლოდ კრიზისულზე დაბალი ტემპ-რისათვის (იხ. *კრიზისული მდგომარეობა*). კ., ისევე, როგორც მისი შექცევადი პროცესი — *აორთქლება*, ნივთიერების ფაზური გარდაქმნის მაგალითია. კ-ის დროს იმდენი სითბო გამოიყოფა, რამდენიც დაიხარჯა კონდენსირებული ნივთიერების აორთქლებაზე. წვიმა, თოვლი, ნამი, რთვილი ატმოსფეროში წყლის ორთქლის კონდენსაციის შედეგია. კ-ს ფართოდ იყენებენ ენერგეტიკაში, ქიმ. ტექნოლოგიაში, სამაცივრო და კრიოგენულ ტექნიკაში, სამტკნარებელ დანადგარებში და ა. შ., კ-ის დროს წარმოქმნილ სითხეს **კონდენსატს** უწოდებენ. ტექნიკაში კ-ს ახდენენ საცივებელ ზედაპირზე. ცნობილია ზედაპირული კ-ის 2 რეჟიმი: აფსკური და წვეთური. აფსკური რეჟიმით კ. ხდება სველდებად ზედაპირზე, რ-ზეც წარმოიშობა კონდენსატის უწყვეტი აფსკი. წვეთური რეჟიმით კი არასველდებად ზედაპირზე კონდენსატი წარმოიქმნება ცალკეული წვეთების სახით. წვეთური კ-ის დროს თბოგადაცემის ინტენსიურობა გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე აფსკური კ-ის დროს.

ზედაპირული კ-ის სიჩქარე მით უფრო მეტია, რაც უფრო დაბალია ზედაპირის ტემპ-რა მოცემული წნევის დროს ორთქლის გაჯერების ტემპ-რასთან შედარებით. **მოცულობით** კ-ის დაწყებისათვის ორთქლი შესამჩნევად უნდა იყოს გადამეტჯერებული.

კონდენსაციის რეაქცია, რთული ნაერთების წარმოქმნის რეაქცია ორი ან რამდენიმე უფრო მარტივი ნაერთისაგან. ამ რეაქციას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს წყლის, ამიაკის და სხვა მარტივი ნაერთების გამოყოფა.



მაგ., $C_6H_5CH_2OH + C_6H_6 \xrightarrow{H^+} C_6H_5CH_2C_6H_5 + H_2O$.

კ. რ-ა *ჰეტეროციკლური ნაერთების* წარმოქმნის თითქმის ყველა რეაქცია, *პერკინის რეაქცია, ფრიდელ-კრაფტსის რეაქცია* და სხვ.

კონდენსაციური ელექტროსადგური, იხ. *თბოელექტროსადგური.*

კონდენსაციური ტუმბო, იხ. *კრიოგენული ტუმბო.*

კონდენსაციური ტურბინა, იხ. *ორთქლის ტურბინა.*

კონდენსირებული მდგომარეობა ნივთიერებისა, ნივთიერების თხევადი და მყარი მდგომარეობა. აირული მდგომარეობისაგან განსხვავებით, კ. მ-ში ნივთიერებას ახასიათებს ნაწილაკთა მდებარეობის მოწესრიგებულობა. იხ. *შორი წესრიგი* და *აბლო წესრიგი.*

კონდენსირებული სისტემა, თერმოდინამიკური სისტემა, რ-იც არ შეიცავს აირსა და ორთქლს და შედგენილია მხოლოდ მყარი და (ან) თხევადი ფაზებისაგან.

კონდენსორი (ლათ. condenso — ვამჭიდროვებ, ვასქელებ), მოკლეფოკუსიანი ლინზა ან ლინზათა სისტემა, რ-საც იყენებენ განსახილველი ან დასაპროექციებელი საგნის განსათებლად ოპტიკურ ხელსაწყოებში (მიკროსკოპებში, სპექტრულ ხელსაწყოებში, სხვადასხვა ტიპის საპროექციო აპარატებში). კ. კრებს და საგნისკენ მიმართავს სინათლის წყაროდან წამოსულ სხივებს. ყველაზე მეტადაა გავრცელებული ერთმანეთისაკენ სფერული ზედაპირებით მიმართული (სფერული აბერაციის შემცირების მიზნით, ნახ. 1) ორი ერთნაირი ბრტყელ-ამოზნექილი ლინზისაგან შედგენილი კ.

მიკროსკოპებსა და კინოსაპროექციო აპარატებში ფართოდ იყენებენ სარკულ და სარკულ-ლინზურ კ-ებს, რ-თა აპერტურა შეიძლება ძალიან დიდი იყოს (ნახ. 2). ხშირად კ-ში რამდენიმე ლინზის არსებობა გამოწვეულია არა მარტო აპერტურის გაზრდისაკენ მისწრაფებით, არამედ ერთნაირი განათებულობის აუცილებლობითაც სინათლის წყაროს არაერთნაირი სტრუქტურის დროს (ნახ. 3).

კონდიდი, აჭარის ასსრ ქობულეთის რ-ნის სოფლების *ზედა კონდიდისა* და *ქვედა კონდიდის* ძვ. სახელწოდება.

კონდილიაკი, **კონდილიაკი** (Condillac) ეტიენ ბონო დე (30. IX. 1715, გრენობლი, — 3. VIII. 1780, ბოჟანსი), ფრანგი ფილოსოფოსი და განმანათლებელი, საფრ. აკად. წევრი (1768). განიცადა ჯ. *ლოკის* გავლენა და განავითარა შემეცნების სენსუალისტური (იხ. *სენსუალიზმი*) თეორია. მისი მთავარი ფილოს. ნაშრომია „ტრაქტატი შეგრძნებების შესახებ" (1754), რ-შიც სცადა დაესაბუთებინა, რომ ყოველგვარი ცოდნა და ადამიანის სულიერი უნარი შეგრძნებებიდან მომდინარეობს. უარყოფდა თანდაყოლილი იდეების დეკარტისეულ თეორიას. იგი *ასოციაციონისტური ფსიქოლო-*

გიის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ⚭-ის შეხედულებებმა დიდი გავლენა იქონია ფრანგ. მატერიალიზმის განვითარებაზე.

კონდილომა (ბერძნ. kondylōma — განაზარდი, სიმსივნე), ადამიანის კანისა და ლორწოვანი გარსების ანთებითი ხასიათის შემოსაზღვრული მეჭეჭოვანი წარმონაქმნი, რ-იც ჩნდება მუდმივი ხახუნისა და გაღიზიანების ადგილას. განარჩევენ განიერ და წვეტიან ⚭-ს. გ ა ნ ი ე რ ი ⚭. —განიერ ფუძეზე დამაგრებული სოკოსებრი განაზარდი, ათაშანგის ან ფრამბეზიის მეორეული პერიოდის გამოვლენაა. წ ვ ე ტ ი ა ნ ი ⚭. ზის წვრილ ფეხზე, აქვს წილაკოვანი შენება, იწვევს ფილტრში გამავალი ვირუსი. ⚭., როგორც წესი, უსუფთაობის შედეგად ვითარდება; უმეტესად ჩნდება გამონადენით გაღიზიანებულ სასქესო ორგანოების კანზე, საზარდულისა და დუნდულების ნაკეცებში, უფრო იშვიათად — იღლიაში და ტუჩების ნაკეცებში. ⚭. შეიძლება დაწყლულდეს.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: ძირითადი პათოლ. პროცესის (ათაშანგი, გონორეა, ფრამბეზია, დაოდვილობა) მკურნალობა; ელექტროკოაგულაცია, გამოფხეკა.

კონდიცია ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო ცხ ო ვ ე ლ ი ს ა (ლათ. condicio — პირობა), ცხოველის სხვადასხვა სამეურნეო გამოყენებისათვის სასურველი ფიზიოლ. მდგომარეობა; უმთავრესად განსაზღვრავს ნაკვებობის დონე.

სანამ შენე ⚭-ის ცხოველი არ არის ზედმეტად გასუქებული, მაგრამ ემჩნევა სიმკვირცხლე, მკვეთრად გამოხატული სქესობრივი ინსტინქტი. ამას კი აღწევენ სრულფასოვანი კვებით, კარგი მოვლა-პატრონობით. სუქების ⚭. გვიჩვენებს ცხოველის ნაკვებობის დონეს, სხეულში ცხიმის მნიშვნელოვან დაგროვებას (სახორცე სუქებისას ცხიმი თანაბარ ფენებად ლაგდება ხორცში). საგამოფენო ⚭-ის ცხოველები გამოირჩევიან საშუალოზე მაღალი ნაკვებობით, მომრგვალო ფორმით, რასაც გაძლიერებული კვებითა და განსაკუთრებული მოვლა-შენახვით აღწევენ. საშუალოდ გამოსაყენებელი ცხოველებისათვის (ცხენი, ჯორი, ხარი) დამახასიათებელია სამუშაო ⚭. ისინი გამოირჩევიან ზომიერი და მშრალი მუსკულატურით, რასაც კარგი კვებისა და გამოყენების სწორი რეჟიმის პირობებში აღწევენ.

კონდიციონერი, *კონდიციერების* სისტემებში ჰაერის დასამუშავებელი და გადასაადგილებელი აგრეგატი. განასხვავებენ ავტონომიურსა და არაავტონომიურ ⚭-ებს და ⚭.-დამყვანს. ა ვ ტ ო ნ. ⚭-ს აქვს ერთი ან რამდენიმე სამაცივრო კომპრესორი ელექტრომრავებთან ერთად, საორთქლებელ-ჰაერსაცივარი, კონდენსატორი, ჰაერის ფილტრი, ვენტილატორები, აგრეთვე ხელსაწყოები, რ-თა დანიშნულებაა სამაცივრო მანქანის მუშაობის ავტომ. რეგულირება და სათავსში ჰაერის მოცემული პარამეტრების შენარჩუნება. გაერთმთლიანების მიხედვით განასხვავებენ ჰორიზ., განცალკევებულ-აგრეგატულ და ვერტ. ავტონ. ⚭-ებს. ა ვ ტ ო ნ ო მ ი ურ ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ⚭-ს, რ-საც ჰაერით გაცივების კონდენსატორი აქვს, ფანჯრის ღიობებში დგამენ და ერთი სათავსის (ფართი — 50 ∂^2-მდე) მომსახურებისათვის იყენებენ. გ ა ნ ც ა ლ კ ე ვ ე ბ უ ლ ა გ რ ე გ ა ტ უ ლ ⚭-ს აერთმთლიანებენ 2 კორპუსში, რ-ებიც შეერთებულია მილსადენებით (მათში ხდება მაცივარი აგენტის ცირკულაცია). ამ სახის ⚭-ს ერთი ან რამდენიმე სათავსის (ფართი — 300 ∂^2-მდე) მომსახურებისათვის იყენებენ; მას აქვს ჰაერით ან ჰაერ-წყალაორთქლებითი გაცივების კონდენსატორი. ა ვ ტ ო ნ. ვ ე რ ტ. ⚭. კარადის სახისაა. იგი ემსახურება ერთ ან რამდენიმე სათავსს (ფართი — 1700 ∂^2-მდე); აქვს წყლით გაცივების კონდენსატორი.

ავტონ. ჰორიზ. და განცალკევებულ-აგრეგატულ ⚭-ებს იყენებენ საცხოვრ., საზ და სამრეწვ. შენობებში, ვერტ. ⚭-ს კი — საზ. და სამრეწვ. შენობებში (ხმაურით მუშაობს). ავტონ. ⚭-ს იყენებენ აგრეთვე ვენტილაციისათვის, ზოგჯერ კი სათავსის გასათბობად, ჰაერის მტვრისაგან გასაწმენდად, გასაცივებლად და შრობისათვის. სსრკ-ში და საზღვარგარეთ მიმდინარეობს საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები ავტონ. სათბობ-საცივებელი ⚭-ების (ნახევრადგამტარიანი თბური ტუმბოების) შესაქმნელად. ვრცელდება აგრეთვე აბსორბციული სამაცივრო მანქანების მქონე ავტონ. ⚭-ები (ხურდება აირით ან ელექტროდენით).

ა რ ა ა ვ ტ ო ნ. ⚭. არის ჰორიზონტალური ან ვერტიკალური. ქ-ნები უშვებს ა რ ა ა ვ ტ ო ნ. ⚭ ო რ ი ზ. ⚭-ეს სექციებისა და ელემენტების სახით, რ-ებიც ადგილზე აიწყობა, ა რ ა ა ვ ტ ო ნ. ვ ე რ ტ. ⚭-ებს კი — საკვანძოთ მზა აგრეგატების სახით ამზადებს. ⚭.-დ ა მ ყ ვ ა ნ ი არის ვენტილატორული და ეჟექციური. სსრკ-ში უმეტესად ეჟექციურს ამზადებენ, რ-საც უმთავრესად ადმ., სასტუმროს შენობებსა და საზღვაო და სამდინარო გემების კაიუტებში იყენებენ. ამ სახის ⚭. თითქმის უხმაუროდ მუშაობს.

სპეც. ⚭. -ჰაერსაცივებლებს (უმთავრესად ავტონომიურს) იყენებენ სარკინიგზო ვაგონებში, თვითმფრინავების კაბინებში, ამწეებში, ავტომობილებში, ტრაქტორებში, კომბაინებში, ექსკავატორებში.

კონდიციერება (ლათ. condicio — პირობა, მდგომარეობა) ჰ ა ე რ ა ს ა, ჰაერის დამუშავება და სათავსში მისი პარამეტრების (ტემპ-რა, ტენიანობა, სისუფთავე, მოძრაობის სიჩქარე, წნევა) საჭირო მნიშვნელობათა (ე. წ. კომფორტული პირობების) უზრუნველყოფა. ⚭-ის სისტემები ავტომატურად უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს: ჰაერის გაცივებას, გაშრობას (წლის თბილ პერიოდში) და მის გათბობა-გატენიანებას (ცივ პერიოდში). ⚭-ის სისტემას შეუძლია იმუშაოს გათბობის სისტემასთან ერთად ან შეცვალოს იგი.

⚭-ის სისტემები პირველად XIX ს. ბოლოს გამოიყენეს აშშ-ში საფეიქრო მრეწვ. ტექნოლოგიაში. 1922—აქვე (კინოთეატრებში) გამოიყენეს კომფორტული ჰაერის ⚭.; სსრკ-ში ⚭-ის სისტემების გამოყენება დაიწყეს XX ს. 20-იანი წლებიდან (უმთავრესად საფეიქრო მრეწველობაში), კონდიციონერებისა და ჰაერის ⚭-ის სისტემების სპეც. მოწყობილობის ქარხნული წესით დამზადება კი — 50-იანი წლების დასაწყისში.

კომფორტულ ⚭-ს უმთავრესად იყენებენ საზ. და ადმ. შენობებში, მატარებლებსა და თვითმფრინავებში, ავტომანქანებსა და გემებზე, სხვადასხვა წარმოებასა და სამთო მრეწველობაში.

ჰაერის ⚭-ის სისტემების დაპროექტებისას ითვალისწინებენ *სამშენებლო ნორმებსა და წესებს.*

⚭-ის სისტემებით ახდენენ აგრეთვე ჰაერის *ოდორიზაციას, დეზოდორიზაციას, იონიზაციას,* რეგენერაციასა და ბაქტერიოლოგიურ გაწმენდას. ჰაერის დამუშავება მიმდინარეობს სპეც. აპარატში — *კონდიციონერში.*

ცნობილია ⚭-ის სისტემის 3 ძირითადი სახეობა: ცენტრალური, ადგილობრივი და შერეული. ⚭-ის ც ე ნ ტ რ. ს ი ს ტ ე მ ა ს იყენებენ უმთავრესად დიდი მოცულობის სათავსებში (კინოთეატრი, საკონცერტო დარბაზი, ქ-ნის საამქრო და ა. შ.). ამ სისტემის კონდიციონერები ემსახურება ერთ ან რამდენიმე სათავსს. ⚭-ის ა დ გ ი ლ. ს ი ს ტ ე მ ა კი—შედარებით მცირე მოცულობის სათავსს ან მის ნაწილს: კაბინეტს, ლაბორატორიას, საავადმყოფოს პალატას და სხვ; ფართოდ გავრცელდა ⚭-ის შ ე რ ე უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა. რ-იც შედგება ცალკეულ კამერებში განლაგებული ცენტრ. კონდიციონერებისა და უშუალოდ სათავსში მდებარე ადგილ. კონდიციონერების ჯგუფებისაგან. ცენტრ. კონდიციონერებში დამუშავებული გარე ჰაერი ხვდება ადგილ. კონდიციონერებში, რ-ებშიც ხდება სათავსების რეცირკულირებული ჰაერის შერევა დამუშავებულ ჰაერთან (საჭირო პროპორციით). აქვე საჭიროებისამებრ ათბობენ ან აცივებენ ჰაერის ნარევს და კვლავ სათავსს აწვდიან. კონდიციონერის ვენტილატორით განვითარებული წნევის შესაბამისად. განასხვავებენ დაბალი [1 *კ6/მ*^{3} (100 *კგძ/მ*^{2})], საშუალო [1-იდან 3 *კ6/მ*^{2}-მდე (100-იდან 300 *კგძ/მ*^{2}-მდე)] და მაღალი [3 *კ6/მ*^{2} (300 *კგძ/მ*^{2}) და მეტი] წნევის სისტემებს.

ცენტრ. და ადგილ. ⚭-ის სისტემები არის ერთ-და ორარხიანი. ე რ თ ა რ ხ ი ა ნ ი დაბალი წნევის სისტემა მოიცავს კონდიციონერებს, ჰაერმანაწილებელი არხების ქსელს, მიმწოდებელ და გამწოვ მოწყობილობებსა და ავტომ. და დისტანციური მართვის ხელსაწყოებს. ამ სისტემაში იყენებენ როგორც პირდაპირი დინების, ისე ჰაერის რეცირკულაციის სქემებს.

მრავალსართულიან ადმ. შენობებსა და სასტუმროებში სულ უფრო მეტად იყენებენ სამ. წნევის ერთარხიან შერეული სახის ჰაერის ⚭-ის სისტემებს. პერსპექტიულია ორარხიანი ⚭-ის სისტემა, რ-ის ერთ არხში ცივი ჰაერი მოძრაობს, მეორეში კი თბილი. მათი შერევით იღებენ საჭირო ტემპ-რის ჰაერის ნარევს, რ-საც სათავსს ან სათავსთა ჯგუფს აწვდიან.

რკინიგზის ვაგონებში, ავტობუსებში, ავტომანქანებსა და თვითმფრინავში იყენებენ ავტონ. კონდიციონერების მქონე ერთარხიან ადგილ. ჰაერის ⚭-ის სისტემას, საზღვაო ტრანსპორტზე კი — ერთან ორარხიან სამ. წნევის ⚭-ის სისტემას.

გ. დარჩია.

კონდოლი, სოფელი თელავის რ-ნში, ალაზნის ვაკეზე, მდ. კისისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. სოფსაბჭო. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 460 *მ*, თელავიდან 6 *კმ*. ი. სტალინის სახ. კოლება (მეფენახეობა). სამ. სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, კლუბი (კინოდანადგარი), 2 ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

სოფლის ჩრდ. ნაწილში აღმართულია VI ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ნათლისმცემლის ბაზილიკა. გეგმით წაგრძელებული და ვიწრო შენობა სწორკუთხა სვეტების ორი წყვილით სამ ნავად იყოფა. ნაგებია რიყის ქვის არათანაბარი რიგებით. წაგრძელებული ნალისებრი აფსიდით დასრულებული შუა ნავი ვიწროა და შედარებით მაღალი, გადახურულია ნახევარწრიული კამარით. გვერდის ნავები კიდევ უფრო ვიწროა. ენათესავება დიდი ბაზილიკების — ხაშმის, ხირსის, ნატკორის ჯგუფს. შენობა მრავალჯერ არის გადაკეთებული. XVII ს-ში დას. შესასვლელი აგურით შეუკეთებიათ და ლავგარდანიც აგურისავე შემოუყოლებიათ.

კონდომინიუმი (ლათ. condominium — თანამფლობელობა), საერთაშორისო სამართალში მდგომარეობა, როცა ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად ფლობს ამა თუ იმ ტერიტორიას. ემყარება საერთაშ. ხელშეკრულებას, რ-იც ასახავს ამ ტერიტორიაზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთა კომპრომისს. მფლობელი სახელმწიფოები, როგორც წესი, ერთობლივად ავლენენ სუვერენულ უფლებებს (მმართველობას, იურისდიქციას). ⚭. მეტწილად კოლონ. მფლობელობის სახე იყო და ამჟამად შემორჩენილია წყნარ ოკეანეში: დიდი ბრიტ. და აშშ-ის ⚭. კანტონისა



კონდენსორი. ნახ. 1. კონდენსორიანი საპროექციო აპარატის სქემა: S—სინათლის წყარო; aabb—კონდენსორი; AB—დასაპროექციებელი საგანი; pq—საპროექციო ობიექტივი; MN—ეკრანი. კონდენსორით შესაკრები სხივების გაშლილობის aSa კუთხე ბევრად მეტია კონდენსორის არარსებობისას საგანზე დაცემული სხივების გაშლილობის კუთხეზე (წყვეტილი ხაზები).



კონდენსორი. ნახ. 2. კინოპროექციის დროს გამოსაყენებელი სარკულ - ლინზური კონდენსორის სქემა: S—სინათლის წყარო (ელექტრული რკალი); Z — პარაბოლური სარკე; L — ლინზები; K—საკადრო ფანჯარა (სხივთა შესაკრები კონის 2 U გაშლილობის კუთხე 240° აღწევს)

ე. კონდილიაკი.

კონდენსორი. ნახ. 3. სპექტრულ ხელსაწყოებში გამოსაყენებელი სამმაგი კონდენსორის სქემა: L_1 ლინზა ქმნის სინათლის არაერთგვაროვანი S წყაროს (მაგ., ელექტრული რკალის) S′ გამოსახულებას. D დიაფრაგმა S′-იდან „ამოჭრის" ერთნაირად განათებულ ნაწილს, რომლის მეორეული S″ გამოსახულებას L_3 ლინზით დაგეგმილდება სპექტროგრაფის O ობიექტივის სიბრტყეში.





კონდოპოგა. მიძინების ეკლესია, 1774.

კონდორი.

მ. ჟ. ა. კონდორსე.

რ. კონდრატენკო.

და ენდერბერის კ-ებზე, დიდი ბრიტ. და საფრ. ჰ. ახალი ჰებრიდის კ-ებზე.

გ. ჭეანია.

კონდოპოგა, ქალაქი (1938-იდან) კარელ. ასსრ-ში, ონეგის ტბის ნაპირზე. კონდოპოგის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ლენინგრად—მურმანსკის ხაზზე, პეტროზავოდსკიდან 54 *კმ*. ჰესი მდ. სუნაზე. *კონდოპოგის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი* ს. მ. კიროვის სახელობისა. საშენ მასალათა წარმოება. სამედ. სასწავლებელი. ქალაქში დგას რუს. ხის ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში—მიძინების ეკლესია (1774, რესტავრირებულია 1927 და 1950).

კონდოპოგის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი ს. კიროვის სახელობისა, სსრკ ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მსხვილი საწარმო კარელ. ასსრ ქ. კონდოპოგაში; ამზადებს გაზეთის ქაღალდს საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების ბაზებზე, მისი მშენებლობა დაიწყო 1923. პირველი პროდუქცია გამოუშვეს 1929. II მსოფლიო ომის პერიოდში კომბინატი დაინგრა. ომის შემდეგ თითქმის მთლიანად განახლდა, დაიდგა მაღალმწარმოებლური მოწყობილობანი, გადიდდა ენერგეტ. და დამხმარე მოწყობილობათა სიმძლავრე. წარმოების ნარჩენებიდან ამზადებენ ტექ. ეთილის სპირტს, საკვებ საფუარსა და მერქნისბოჭკოვან ფილებს. 1969 კომბინატის პროდუქციას მიენიჭა სახელმწ. ხარისხის ნიშანი. კომბინატი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1971).

კონდორი (Vultur gryphus), ფრინველი ამერიკულ სვავისებრთა ოჯახისა. მტაცებელ ფრინველთა შორის ტანად ყველაზე დიდია. სხეულის სიგრძე 115 *სმ* აღწევს, ხოლო ფრთების შლილი 275 *სმ*. საერთოდ შავი შეფერილობა აქვს. ჰ. გავრცელებულია ანდებში (კოლუმბიიდან ცეცხლოვან მიწამდე), ზოგჯერ 5000 *მ*-ის ზევითაც. ბუდობს მიუვალ კლდეებზე. დებს 1—2 კვერცხს. ინკუბაცია 55 დღემდე გრძელდება. ძირითადად ლეშით იკვებება, იშვიათად თავს ესხმის ავადმყოფ და დაუძლურებულ ცხოველებსაც.

კონდორი (ესპ. condor), ოქროსა და ვერცხლის მონეტა, რ-იც ოქროს სტანდარტის შეცვლამდე (XX ს. 30-იანი წწ.) სამხრ. ამერ. ქვეყნების (ჩილე, კოლუმბია, ეკვადორი) მიმოქცევაში იყო. პირველად ჰ. გამოუშვეს ჩილეში 1851. 1925 კანონით ჩილეს ორმაგი ჰ. მონეტაა, რ-იც 3,661137 *გ* ხალას ოქროს შეიცავს.

კონდორსე (Condorcet) მარი ჟან ანტუან ნიკოლა (17. IX. 1743, რიბმონი, — 29. III. 1794, ბურ-ლა-რენი), მარკიზი, ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი, მათემატიკოსი, სოციოლოგი და პოლიტ. მოღვაწე. საფრანგეთის აკად. წევრი (1782). *ჰ. დეიზმისა* და *სენსუალიზმის* მომხრე. ნაშრომში „ადამიანის გონების პროგრესის ისტორიული სურათის ესკიზი" (1794) ცდილობს დაადგინოს კაცობრიობის ისტ. განვითარების კანონზომიერებანი, ძირითადი ეტაპები და მამოძრავებელი ძალები. განიცდიდა ჟან ჟაკ *რუსოს*, ა. *ტიურგოს*, გ. *რეინალის* ფილოს. შეხედულებათა გავლენას. ისტ. პროგრესის იდეის ერთ-ერთი ავტორი, თუმცა იგი იდეალისტურად ესმოდა. ისტ. განვითარებას ხსნიდა ადამიანის გონების განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, თუმცა მისთვის უცნობი არ იყო სამეურნეო, პოლიტ. და სხვ. ფაქტორებიც. ჰ. აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგია, ბუნებითი სამართლის თეორიის წარმომადგენელი. იგი მტკიცედ იცავდა ადამიანთა თანასწორობას, დემოკრ. უფლებებისა და თავისუფლების, საყოველთაო განათლებისა და სხვ. პროგრ. იდეებს. მისმა შეხედულებებმა დიდი *როლი* ითამაშა ისტ. თეოლ. გაგების *კრიტიკაში*.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Немецкая идеология, Соч., 2 изд., т. 3.

კონდოტიერი (იტალ. condottieri < condotta—ხელშეკრულება სამხედრო სამსახურში დაქირავების შესახებ), XIV—XVI სს. იტალიაში ცალკეული გამგებლებისა და რომის პაპის სამსახურში მყოფი დაქირავებული საბჭედრო რაზმის წინამძღოლი. იტალ. სახელმწიფოებს შორის გამუდმებული ომების პირობებში ჰ-ებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. XIV ს-ში ჰ-ები ძირითადად უცხოელი რაინდები იყვნენ, მოგვიანებით ისინი იტალიელებმა შეცვალეს.

კონდრატენკო რომან ისიდორეს ძე [30. IX (12. X). 1857, თბილისი, — 2 (15). XII. 1904, პორტ-არტური], პორტ-არტურის დაცვის გმირი, გენ.-ლ. (1904). 1877 დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი, 1882—საინჟინრო აკადემია, 1886 — გენშტაბის აკადემია. 1903-იდან აღმ. ციმბ. მე-7 მსროლელი ბრიგადის, 1904-იდან კი მის ბაზაზე შექმნილი დივიზიის მეთაური იყო. რუს.-იაპ. ომის (1904—05) დაწყების შემდეგ ერთდროულად პორტ-არტურის ციხესიმაგრის სახმელეთო ფრონტის დაცვის უფროსი. სამეთაურო და სამხ. საინჟინრო საქმის ღრმა ცოდნამ ჰ-ს საშუალება მისცა მცირე დროის განმავლობაში ხელახლა შეექმნა თავდაცვის სისტემა, წარმატებით მოიგერია 4 შეტევა. ჰ-ს ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღების ახ. სახეები: ხელყუმბარა, ნალმსატყორცნი, ელექტროდენიანი მავთულ-ღობურები. ჰ. დაიღუპა № 2 ფორტის საარტ. დაბომბვის დროს.

ლიტ.: Р. И. Кондратенко. Его жизнь и боевая деятельность» сост. В. Миткевич и Д. Дубенский» [СПб., 1908].

კონდრატიევი ვიქტორ ნიკოლოზის ძე [19. I (1. II). 1902, რიბინსკი,—12. V. 1979, მოსკოვი], საბჭ. ქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953). სკკპ წევრი 1948-იდან. 1924 დაამთავრა ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტი. 1931-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ქიმ. ფიზ. ინ-ტში. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ქიმ. კინეტიკის დარგს, მოლეკულურ სპექტროსკოპიას, ნივთიერების აღნაგობას, ფოტოქიმიას და სხვ. ჰ-მა ექსპერიმენტულად დაასაბუთა ჯაჭვური რეაქციების თეორიის მრავალი საკითხი. სსრკ სახელმწ. პრემია (1946). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Бубен Н. Я., Воеводский В. В., Соколов Н. Д., Научная деятельность В. Н. Кондратьева, «Успехи химии», 1952, т. 21, в. 8.

კონდუქტორი (გვიანდ. ლათ. conductor, სიტყვასიტყვით — თანმხლები <ლათ. conduco — ვაგროვებ, გადამყავს) მანქანათმშენებლობაში, სამარჯვი, რ-ითაც საბურღ ჩარხებზე ნახვრეტებს ამუშავებენ წინასწარი მონიშვნის გარეშე. დასამუშავებელ დეტალს ათავსებენ ჰ-ში ან მის ქვეშ. ჰ-ის მილისები განსაზღვრავს მჭრელი იარაღის მიმართულებას ჰ-ის კორპუსისა, და მაშასადამე, დასამუშ. დეტალის მიმართ. თითოეული მილისის ნახვრეტის ღერძი ემთხვევა დასამუშ. ნახვრეტის ღერძს, ხოლო მილისის ნახვრეტის დიამეტრი შეესაბამება მჭრელი იარაღის დიამეტრს. ჰ-ით შეიძლება ერთდროულად დამუშავდეს ორი და მეტი ნახვრეტი. იგი ზრდის მწარმოებლურობას. ჰ-ის კონსტრუქცია დამოკიდებულია ნახვრეტების ზომაზე, რაოდენობასა და მდებარეობაზე, დეტალის ფორმასა და დანიშნულებაზე.

კ. ნუცუბიძე.

კონევი ივანე სტეფანეს ძე [16 (28). XII. 1897, სოფ. ლოდეინო, ახლანდ. პოდოსინოვეცის რ-ნი, კიროვის ოლქი, — 21. V. 1973, მოსკოვი], საბჭ. მხედართუფროსი, საბჭ. კავშირის მარშალი (20. II. 1944). ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (29. VII. 1944 და 1. VI. 1945), ჩეხოსლ. სრ გმირი (1970) და მონღ. სრ გმირი (1971). სკკპ წევრი 1918-იდან. 1916 გაიწვიეს მეფის არმიაში. 1918-იდან წითელ არმიაშია. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში (1918—20) და კრონშტადტის ამბოხების ლიკვიდაციაში. დაამთავრა სამხ. აკადემიასთან არსებული უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის კურსები (1926) და მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1934). 1934—40 იყო მსროლელი დივიზიის მეთაური, კორპუსის მეთაური, მე-2 ცალკე წითელდროშოვანი შორეული აღმოსავლეთის არმიის სარდალი. 1940—41 სარდლობდა იმიერბაიკალეთის და ჩრდ. კავკ. სამხ. ოლქების ჯარებს. დიდ სამამულო ომში (1941—45) სარდლობდა მე-19 არმიას, შემდეგ დას. (1941 სექტ.-ოქტ. და 1942 აგვ. — 1943 თებ.), კალინინის (1941 ოქტ-იდან), ჩრდ.-დას. (1943 მარტიდან), სტეპის (1943 ივლ-იდან), უკრ. II (1943 ოქტ-იდან) და I (1944 მაისი—1945 მაისი) ფრონტების ჯარებს. 1945—46 იყო ჯარების ცენტრ. ჯგუფის მთავარსარდალი და ავსტრიის უმაღლესი კომისარი, 1946—50 — სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი და სსრკ შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე, 1950—51 — საბჭ. არმიის მთავარი ინსპექტორი, 1951 — 55 — კარპატისპირეთის სამხ. ოლქის ჯარების სარდალი. 1955—56 თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი. 1956—60 თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და ერთდროულად 1955 მაისიდან 1960 ივნისამდე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთ. შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1961 — 62 გერმანიაში საბჭ. ჯარების ჯგუფის მთავარსარდალი და სხვ. 1931—34 — საკ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის წევრი. სსრკ I—VIII მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1939—52 საკ. კპ (ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატი, 1952-იდან სკკპ ცკ-ის წევრი. დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, „გამარჯვების" ორდენით, 21 საბჭ. და უცხოური ორდენით, აგრეთვე მედლებით.

თხზ.: Сорок пятый, 2 изд., М., 1970.

კონეტაბლი (ფრანგ. connètable < გვიანდ. ლათ. comes stabuli — საჯინიბოს უფროსი), მონარქიული საფრანგეთის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე. თავდაპირველად ფრანკთა სახელმწიფოში — სასახლის მოსამსახურე. საფრანგეთში კაპეტინგების დროს ჰ. უკვე შედიოდა სამეფოს 5 უმაღლესი მოხელის რიცხვში. 1191, *სენეშალის* თანამდებობის გაუქმების შემდეგ, მისი ფუნქციები თანდათანობით ჰ-ს დაეკისრა. ჰ. მეფის სამხ. მრჩეველი იყო, ხოლო მის არყოფნაში — მეფის რაინდთა უფროსი. XIV ს. დასასრულიდან — არმიის ერთადერთი მთავარსარდალი. 1627 რიშელიემ ეს თანამდებობა გააუქმა. 1804 ნაპოლეონ I-მა თავისი ძმა ლუისათვის შემოიღო „დიდი კონეტაბლის" ტიტული. რესტავრაციის პერიოდში ეს ტიტულები გაუქმდა.

კონექტიკუტი (Connecticut), მდინარე აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. სიგრძე 552 *კმ*, აუზის ფართ. 29 ათ. *კმ*². სათავე აქვს აპალაჩების ჩრდ. ნაწილში მდებარე ტბებში. მიედინება ღრმა ხეობა-გრაბენში. ქმნის ე. წ. „ჩანჩქერების ხაზს" და ერთვის ატლანტის ოკეანეს ლონგ-აილენდის სრუტეში. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის აპრილ-მაისში. წყლის საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 606 *მ*³/*წმ*. ჭორომიან-ჩანჩქერებიანია, გამოყენებულია ჰესებისათვის. სანაოსნოა გარშემომცველი არხების მეშვეობით.

კონექტიკუტი (Connecticut), შტატი აშშ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ახალ ინგლისში. სამხრ-ით აკრავს ლონგ-აილენდის სრუტე. ფართ. 12,9 ათ. *კმ*². მოსახლ. 3,1 მლნ. კაცი (1975), მ. შ. დაახლ. 80% ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ცენტრი და უდიდესი ქალაქი — ჰარტფორდი. ტერიტ. დიდი ნაწილი უჭირავს აპალაჩების შტოქედებს, ცენტრ. ნაწილში მდ. კონექტიკუტის ფართო ველია. ჰავა ზომიერი, ოკეანისა.

ჰ. ინდუსტრ. შტატია. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია დამუშაკებით მრეწველობაში. მთავარი დარგებია: ელექტროტექ. და რადიოელექტრონული მრეწველობა, ჩარხების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, ავიაძრავების, ვერტმფრენების, წყალქვეშა ნავების (მ. შ. ატომური), საკისრების, საათების წარმოება. მნიშვნელოვანია ქიმ., რეზინის, პოლიგრ. მრეწვ., საფეიქრო ბალანტერეის, ქუდების წარმოება. სოფ. მეურნ. სასაქონლო პროდუქციის დაახლ. 3/5-ს იძლევა სარძეო მესაქონლეობა და მეფრინველეობა. არის თამბაქოს პლანტაციები. ჰ-ის სამხრ.-დას. ნაწილი ეკვრის ქ. ნიუიორკს და ფაქტობრივად მის საგარეუბნო ზონაში შედის.

კონვეიერი (ინგლ. conveyer<convey— გადატანა, გადაზიდვა), ტრანსპორტიორი, ფხვიერი, ნატეხი და საცალო ტვირთის გადასატანი უწყვეტი მოქმედების მანქანა. განასხვავებენ ორი ტიპის ჰ-ებს. ერთი ტიპის ჰ-ებს აქვს ლენტური, ჯაჭვური, ბაგირული და სხვა საწევი ორგანოები, მეორე ტიპისას კი ეს ორგანოები არა აქვს (ხრახნული, ინერციული, ვიბრაციული, ბორგოლაჭიანი ჰ-ები). ტვირთმზიდი ორგანოს მიხედვით ჰ. შეიძლება იყოს ლენტური, ფირფიტოვანი, ხვეტია, ურიკიანი და სხვ.

ჰ-ის ძირითადი ტიპებია: ლენტური ჰ. (ნახ. 1); აქვს რეზინის ან ფოლადის ტვირთმზიდი ლენტი, რ-იც მოძრაობს 1—5 *მ/წმ* სიჩქარით; იყენებენ ფხვიერი, ნატეხი, საცალო ტვირთის გარკვეულ მანძილზე (ხანდახან 10—12 *კმ*) გადასაზიდად; ფირფიტოვანი ჰ-ები (ნახ. 2), რ-თა ტვირთმზიდი ორგანო ერთმანეთთან სახსრულად შეერთებული ფირფიტებისაგან შედგება, მოძრაობს 1 *მ/წმ*-მდე სიჩქარით; იყენებენ ჰორიზ. ან მცირედ ღახრილ (35°-მდე) სიბრტყეში მძიმე (500 *კგ* და მეტი) საცალო, მსხვილნატეხოვანი და მაღალ ტემპ-რამდე გახურებული ტვირთის გადასაზიდად. ხვეტია ჰ-ის შუშა ორგანოა ჯაჭვი ხვეტიებით, რ-იც ღარში ან კოლოფში 1 *მ/წმ*-მდე სიჩქარით მოძრაობს. ასეთ ჰ-ს იყენებენ ფხვიერი ან ნატეხი ტვირთის 100 *მ* გადასაზიდად. საკიდ ტვირთმზიდ ჰ-ს აქვს ჯაჭვური ტვირთმზიდი ორგანოები (ხისტად შეერთებული ურიკები). იყენებენ საცალო ტვირთის უწყვეტი (იშვიათად პერიოდული) გადაზიდვისათვის; მბიძგავი ჰ-ების ურიკები ტვირთთან ერთად შეიძლება მოსცილდეს ჯაჭვს და გაჩერდეს სამუშაო ადგილთან. ურიკიანი ჰ. ურიკებით გადააადგილებს მძიმე საცალო ტვირთს. საწევი ჯაჭვით შეერთებული ურიკები მოძრაობს ლიანდაგზე. ციცხვებიან და საკიდლიან ჰ-ს აქვს ჯაჭვზე ჩამოკიდებული ციცხვები ანუ საკიდლები. ხრახნულ ჰ-ს (ნახ. 3), რ-შიც გადასატანი ტვირთი მილში მბრუნავი ხრახნის (შნეკის) გასწვრივ გადაადგილდება, იყენებენ მტვრისებრი, ფხვიერ-ნატეხოვანი და თხევადი ტვირთის გადასატანად ჰორიზ. ან 20°-მდე დახრილ სიბრტყეში (იშვიათად — ვერტ. სიბრტყეშიც). მოქანავე ინერციული ჰ. (ნახ. 4) გადაზიდავს ფხვიერ და ნატეხ ტვირთს უკუქცევით-წინსვლითი მოძრაობით. ვიბრაციულ ერთმილიან ან ორმილიან ჰ-ს, რ-ის სატრანსპ. ღარი ან მილი დიდი სიხშირის უკუქცევით-წინსვლით მოძრაობას ასრულებს, იყენებენ მტვრიანი, შხამიანი და ცხელი ტვირთის გადასაზიდად; გორგოლაჭებიანი ჰ. (ნახ. 5) 2 ტიპისაა — გრავიტაციული და ამძრავიანი. გრავიტაციულ ჰ-ში, რ-საც 2—5° დახრით აყენებენ, გორგოლაჭები თავისუფლად ბრუნავს გადასაადგილებელი ტვირთის სიმძიმის ძალის მოქმედებით. ამძრავიან ჰ-ში გორგოლაჭებს აქვს ჯგუფური ამძრავი. ასეთ ჰ-ს იყენებენ, როდესაც საჭიროა ტვირთის მოძრაობის თანაბარი სიჩქარე, ტვირთის გადაადგილება ჰორიზ. სიბრტყეში ან მისი განსაზღვრულ სიმაღლეზე გადაცემა.

ნებისმიერი წარმოების ტექნოლ. პროცესში ჰ-ის გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება შერჩეული ჰ-ის ტიპი და მისი პარამეტრები ტვირთის თვისებებს და იმ პირობებს, რ-შიც მიმდინარეობს ტექნოლ. პროცესი, მაგ., მწარმოებლურობა, ტრანსპორტირების მანძილი, ტრასის ფორმა და გადაადგილების მიმართულება (ჰორიზ., დახრილი, ვერტ., კომბინირებული), ჰ-ის დატვირთვისა და განტვირთვის პირობები, ტვირთის ზომა, ფორმა, აბრაზიულობა, ტენიანობა, ტემპ-რა და სხვ., ტვირთის მიწოდების რიტმი და ინტენსიურობა, აგრეთვე სხვადასხვა ადგილ. ფაქტორი. ჰ-ს იყენებენ სახ. მეურნ. ყველა დარგში: შავ და ფერად მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, სამთო, ქიმ., კვების მრეწველობაში და სხვ. სამრეწვ. საწარმოებში ჰ. ტექნოლ. პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მისი საშუალებით შეიძლება საწარმოს ტემპის დადგენა და რეგულირება, მისი რიტმულობის უზრუნველყოფა. ჰ. კომპლ. მექანიზაციის, სატრანსპ. და დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესების ნაკადურ ტექნოლ. ოპერაციათა ავტომატიზაციის ძირითადი საშუალებაა; იგი ათავისუფლებს მუშებს მძიმე და შრომატევადი სამუშაოებისაგან და მათ შრომას უფრო ნაყოფიერს ხდის.

ლიტ.: Зенков Р. Л., Петров М. М., Конвейеры большой мощности, М., 1964; Спиваковский А. О., Дьячков В. Н., Транспортирующие машины, 2 изд., М., 1968; Транспортирующие и перегрузочные машины для комплексной механизации пищевых производств, под ред. А. Я. Соколова, М., 1964.

კონვეიერული ღუმელი, საწარმოო ღუმელი, რ-შიც ნაკეთობანი გახურების პროცესში ჩასატვირთი ნახვრეტიდან გადმოსატვირთისაკენ კონვეიერით გადაადგილდება. ჰ. ღ-ს იყენებენ ლითონის ნაკეთობათა გასახურებლად წნევით დამუშავებისა და თერმული დამუშავების წინ, სამსხმელო ყალიბების გასაშრობად და სხვ. კონსტრუქციის მიხედვით ჰ. ღ. სამგვარია: ა. კონვეიერის ჯაჭვები განლაგებულია ქვედის არხებში, ხოლო ღუმლის მუშა სივრცეში მოთავსებულია გადამტანი ელემენტები, რ-ებზეც ნაკეთობებს აწყობენ. ბ. კონვეიერის ჯაჭვები განლაგებულია ღუმლის მუშა სივრცეში. ასეთ ჰ. ღ-ში თერმულად ამუშავებენ რელსებს და ახურებენ ფერადი ლითონებისაგან დამზადებულ ნაკეთობებს. გ. კონვეიერის ჯაჭვები ღუმლის მუშა სივრცის ზემოთაა მოთავსებული. ღუმლის კამარას აქვს ჭვრიტეები, საიდანაც მუშა სივრცეში უშვებენ გადამტანელემენტებიან საკიდრებს. ამგვარ ჰ. ღ-ს იყენებენ მინანქრის გამოსაწვავად ჭურჭლის, მაცივრის კორპუსებისა და სხვათა დამზადებისას. იყენებენ აგრეთვე სამსხმელო ყალიბების, შეღებილი ნაკეთობების გასაშრობად; საკონდიტრო და პურის წარმოებაში და სხვ. ჰ. ღ-ს ახურებენ აირით, თხევადი სათბობით და წინაღობის ელექტრული სახურებლებით.

კონვენტი ეროვნული (Convention nationale <ლათ. conventus — კრება, შეკრება), რევოლუციური ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანო საფრანგეთში. შეიქმნა საფრ. დიდი რევოლუციის დროს, პირველი რესპუბლიკის პერიოდში. მოქმედებდა 1792 წ. 21 სექტ-იდან 1795 წ. 26 ოქტ-მდე. კ-ის ორსაფეხურიან არჩევნებში მონაწილეობდა 21 წელს მიღწეული ყველა მამაკაცი (გარდა შინამოსამსახურეებისა). თავდაპირველად კ-ში 3 პოლიტ. დაჯგუფება იყო. *ჟირონდისტები, იაკობინელები* (მონტანიარები), „ჭაობი („ბარი", „ცენტრი"). კ-ის მოღვაწეობის პირველ ეტაპზე დომინირებდნენ ჟირონდისტები. მიუხედავად ამისა, კ-მა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რ-ებიც იაკობინელების მიერ იყო ნაკარნახევი (მეფის სიკვდილით დასჯა, 1793 ივნ. დეკრეტი „მაქსიმუმის" შესახებ, და სხვ.) 1793 წ. 31 მაისს და 2 ივნ. სახალხო აჯანყების გამარჯვებას მოჰყვა კ-იდან ჟირონდისტების განდევნა და კ-სა და შემდეგ მთელს საფრანგეთში ძალაუფლების იაკობინელთა ხელში გადასვლა. ამიერიდან იაკობინური კ. წარმოადგენდა *იაკობინელთა დიქტატურის* უმაღლეს ორგანოს, რ-იც ახორციელებდა რევოლუციის წინაშე მდგარ უმთავრეს ამოცანებს (კონტრრევოლუციასა და ინტერვენციაზე გამარჯვება, ფეოდალიზმის ლიკვიდაცია, 1793 დემოკრ. კონსტიტუციის მიღება, ახ. არმიის შექმნა და სხვ.), კ. მასზე დაქვემდებარებული ხსნის, საზ. უშიშროებისა და სხვ. კომიტეტებთან ერთად წარმოადგენდა იაკობინელთა დიქტატურის მთავრობას. *თერმიდორული გადატრიალების* შემდეგ მოქმედებდა ე. წ. თერმიდორული კ., რ-მაც ნიადაგი მოუმზადა დირექტორიის რეჟიმზე გადასვლას.

გ. კილურაძე.

კონვენცია, *იხ. საერთაშორისო ხელშეკრულება.*

კონვენციონალიზმი (<ლათ. conventio — შეთანხმება), მიმართულება მეცნიერების ფილოსოფიაში, რ-ის მიხედვით მაოემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერულ თეორიებს საფუძვლად უდევს თვითნებური შეთანხმებანი (პირობითობანი, განსაზღვრებები და სხვ.), რ-თა არჩევა მოტივირებულია „აზროვნების ეკონომიის პრინციპით", მოხერხებულობით, მიზანშეწონილებითა და ა. შ.; ჰ-ის ფუძემდებელია ა. *პუანკარე,* რ-მაც ჰ. განავითარა ფიზიკასა და განსაკუთრებით მათემატიკაში.

ჰ-ის შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია რ. კარნაპისა და კ. *აიდუკევიჩის* სახელთან. კარნაპმა დაამუშავა ე. წ. შემწყნარებლობის პრინციპი, რ-ის მიხედვით ყოველი საბუნებისმეტყველო მეცნ. თეორია შეიძლება დაფუძნდეს აქსიომებისა და სინტაქსისის წესების ნებისმიერ სისტემაზე.

დიალექტ. მატერიალიზმი ჰ-ს აკრიტიკებს კონვენციის ობიექტური საფუძვლის უარყოფისათვის, მეცნ. შემეცნების შინაარსეული მხარის უგულებელყოფისათვის.

ლიტ. *იხ.* სტ-თან ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი.

კონვერგენცია (< ლათ. convergo — ვუახლოვდები, ვხვდები) ბიოლოგიაში, ევოლუციის პროცესში არაახლონათესაური ორგანიზმების ნიშან-თვისებათა დამსგავსება. ჰ. ორგანიზმთა ერთნაირ გარემო პირობებში მოხვედრისა და ერთნაირად მიმართული ბუნებრივი გადარჩევის შედეგია. ჰ-ის მაგალითია წყალში მცხოვრები ნამარხი ქვეწარმავლების (*იქთიოზავრების*) და ძუძუმწოვრების (დელფინების) სხეულისა და კიდურების ფორმის მსგავსება თევზების სხეულისა და ფარფლების ფორმასთან. კონვერგენციული შესაბამისობა (*იხ. ანალოგია*) ვლინდება ცალკეული ნაწილების მეტ-ნაკლები მსგავ-

ე. კონდრატიევი.

ი. კონევი.



ნახ. 1. ლენტური კონვეიერის სქემა.



ნახ. 4. მოქანავე კონვეიერის სქემა.



ნახ. 2. ფირფიტოვანი კონვეიერის სქემა.



ნახ. 3. ხრახნული კონვეიერის სქემა.



ნახ. 5. გორგოლაჭებიანი კონვეიერის სქემა.

სებით და არასოდეს არ არის მეტისმეტად დიდი. შდრ. *დივერგენცია, პარალელიზმი*, აგრეთვე, *ჰომოლოგია, ჰომოლოგიური ორგანოები.* *დ. ჯიბაძე.*

კონვერგენცია, იხ. *ენათა ინტეგრაცია.*

კონვერგენციის თეორია, თანამედროვე ანტიმარქსისტული თეორია, რ-ის მიხედვით კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული განსხვავება თანდათან წაიშლება, რაც საბოლოოდ მათ ურთიერთმსგავსებამდე მიგვიყვანს (ტერმ. „კონვერგენცია" მომდინარეობს ლათინურიდან, იხ. *კონვერგენცია ბიოლოგიაში*). კ. თ. ჩამოყალიბდა XX ს. 50—60-იან წლებში, მისი თეორეტიკოსები არიან რ. არონი, ფ. პერუ (საფრანგეთი), ჯ. გოლბრეითი, პ. სოროკინი (აშშ) და სხვ. კ. თ-ის დამცველები კაპიტალ. და სოციალ. სისტემების დაახლოების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად თვლიან ტექ. პროგრესსა და მსხვილი წარმოების ზრდას. ამ მცდარი შეხედულების მიზეზია სოც.-ეკონ. სისტემებისადმი ტექნოლ. თვალსაზრისით მიდგომა—ადამიანებისა და კლასების საზ.-წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა ტექნიკით. წარმოების ორგანიზაციასა და სამრეწვ. წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში არსებული საერთო ნიშნები არ გამორიცხავს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირეულ განსხვავებას. მცდარია კ. თ-ის დამცველთა თეზისი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სოც.-ეკონ. ურთიერთობების მსგავსების შესახებ. მათი მტკიცებით, კაპიტალიზმის დროს სახელმწიფოს როლი ძლიერდება, სოციალიზმის დროს კი მცირდება ამ ქვეყნებში განხორციელებული ეკონ. რეფორმების შედეგად, რაც თითქოს სახ. მეურნ. ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისებიდან გადახვევასა და საბაზრო ურთიერთობებისაკენ დაბრუნებას მოასწავებს.

სახელმწიფოს ეკონ. როლის ასეთი განხილვა სინამდვილის დამახინჯების ცდაა. სოციალისტურისაგან განსხვავებით ბურჟ. სახელმწიფოს არ შეუძლია ყოვლისმომცველი წარმმართველი როლი ითამაშოს ეკონ. განვითარებაში, რადგან წარმოების საშუალებების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია და, აქედან გამომდინარე, ბურჟ. სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს სახ. მეურნ. ყოვლისმომცველი დაგეგმვა. უკეთეს შემთხვევაში მას შეუძლია ეკონ. პროგნოზირება და ე. წ. ინდიკატური დაგეგმვა ანუ პროგრამირება. მცდარია აგრეთვე კ. თ-ის დამცველთა მტკიცება „საბაზრო სოციალიზმის" შესახებ. იგი წარმოადგენს სოციალ. ქვეყნებში სამეურნეო რეფორმის ბუნებისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ხასიათის დამახინჯების ცდას. სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ექვემდებარება სოციალ. სახელმწიფოს გეგმიან ხელმძღვანელობას. ეკონ. რეფორმები კი სახ. მეურნეობისადმი სოციალ. გეგმიანი ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფას ნიშნავს.

კ. თ-ის დამცველები მოითხოვენ იდეოლოგიურ და კულტ. კონვერგენციას, რაც ისევე უნიადაგოა, როგორც თვით ამ კონცეფციის საფუძველი. კომუნისტური და ბურჟ. იდეოლოგია დიამეტრულად საწინააღმდეგოა ერთმანეთისა და შეუძლებელია მათი შერიგება. თავისი კლასობრივი ბუნებით კ. თ. კაპიტალიზმის აპოლოგიაა, თუმცა იგი პრეტენზიას აცხადებს ე. წ. ინტეგრალურ ეკონ. სისტემის ავტორობაზე. *ჯ. ხარიტონაშვილი.*

კონვერსია (ლათ. conversio—შეცვლა, შებრუნება) ენათმეცნიერებაში, 1. სიტყვის გადაყვანა მიმოხრის სხვა პარადიგმაში (მაგ., „ორი დღე" [არსებითი სახელი] — „დღე [ზმნიზედა] სძინავს", „საავადმყოფო [ზედსართავი] ფურცელი" — „ბავშვთა საავადმყოფო" [არსებითი სახელი]. 2. ქართ. ენის გრამატ. სისტემაში კ-ს უწოდებენ მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძიდან ვნებითი გვარის მიღებას ანუ მოქმედებითის ვნებითად გადაქცევას. მაგ., გატეხა > გატყდა.

კონვერსია სესხისა, ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხების პირობათა შეცვლა კრედიტის ვადის გახანგრძლივებისა და სესხის სარგებლის სიდიდის შესაცვლელად. კაპიტალ. ქვეყნებში სეს'ხის კ. ტარდება სასესხო კაპიტალის ჭარბად არსებობის დროს. მისი მიზანია სახელმწიფო ვალზე საბიუჯეტო ხარჯის შემცირება. პირველად განხორციელდა დიდ ბრიტანეთში 1932 წელს.

სოციალ. პირობებში სესხის კ. ტარდება სახ. მეურნ. ინტერესებისათვის. იგი ითვალისწინებს საბჭ. მანეთის ყიდვისუნარიანობის ძალის ამაღლებას და სახ. მეურნ. დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მობილიზაციას. 1936 სესხის კ. სსრ კავშირში ერთდროულად მოხდა. სესხის კონვერსიისა და II ხუთწლედის სახელმწ. შინაგანი სესხის ვადა გახანგრძლივდა 10-იდან 20 წლამდე, ხოლო სარგებლის დონე შემცირდა 4%-მდე. სესხის კ. გატარდა აგრეთვე 1947 ფულადი რეფორმის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ომის დროს დიდი სახელმწიფო ვალით. ამ ვალის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო სრულფასოვანი მანეთით. ადრე გამოშვებული სესხის ობლიგაციები იცვლებოდა სახელმწიფო 2%-იანი სესხის ობლიგაციებზე უფრო შეღავათიან პირობებში (3 : 1), ვიდრე ნაღდი ფულის გაცვლის დროს (10 : 1). 1938 ერთდროულად განხორციელდა თავისუფლად მიმოქცევადი სახელმწ. შინაგანი მომგებიანი ობლიგაციის სესხის კ. ახალ თავისუფლად მიმოქცევად სახელმწ. შინაგან მომგებიან 3% ობლიგაციებზე (5 : 1). 1958-იდან მოსახლეობაში სესხების გავრცელების შეწყვეტით სესხის კ. მოიხსნა.

კონვერსიული ელექტრონები, *შინაგანი კონვერსიის* დროს ატომთა მიერ გამოსხივებული ელექტრონები.

კონვერტერი (ინგლ. converter < ლათ. converto — ვცვლი, გარდავქმნი), ჰაერის ან ჟანგბადის გაქრევის ხერხით გამდნარი თუჯიდან ფოლადის, აგრეთვე შტეინში ჰაერის გაქრევით პირველადი სპილენძის ან ფაინშტეინის მისაღები აპარატი. შავ მეტალურგიაში იყენებდნენ ქვემოდან გასაქრევ მეავეამონაგიან (ბესემერის) და ფუძეამონაგიან (ტომასის) კ-ებს. გავრცელდა აგრეთვე ზემოდან ჟანგბადით გასაქრევი კ-ები (ჟანგბად-კონვერტერები). ქვემოდან გასაქრევი კ-ის კორპუსი სამი ნაწილისაგან შედგება. ზედა ნაწილში ყელიდან ტვირთავენ თუჯს, ჯართსა და სხვა მასალას. აქედანვე გადმოასხამენ ფოლადსა და წიდას, გამოიყოფა კონვერტერული აირები. კ-ის შუა ნაწილი ცილინდრულია, ქვედა ნაწილი კი ამონაგიანი ძროა, რ-საც აქვს ჰაერის მისაწოდებელი საქშენები. ჰაერი ღრუ პოჭოჭიკითა და მილყელით გადადის საჰაერო კოლოფში, იქიდან კი თუჯში. თუჯის ჩატვირთვისას კ. ჰორიზ. მდგომარეობაშია, გაქრევისას კი — ვერტ. მდგომარეობაში. გაქრევის დამთავრების შემდეგ კ-ს ისევ ჰორიზ. მდგომარეობას უბრუნებენ, ყელით ძირს ხრიან და ფოლადსა და წიდას გადმოასხამენ.

ჟანგბადით ზევიდან გასაქრევი კ. ნახევრად სფერულ-ჯამისებრი ფორმისაა, მისი ძირი ხშირად მოსახსნელია, აქვს დოლომიტის ფუძე ამონაგი. მისი ტევადობაა 100—350 ტ. ფოლადის ინტენსიური არევის, მტვრის დიდი რაოდენობით გამოყოფისა და ტემპ-რის მკვეთრი ცვალებადობის გამო მასში მხოლოდ 450—600-ჯერ შეიძლება პროცესის ჩატარება. ჟანგბადის მისაწოდებელ ქშინს ერთმანეთში ჩადგმული ფოლადის სამი მილისაგან ამზადებენ; ბუნიკი, რ-ითაც თუჯს ჟანგბადს აწვდიან, სპილენძისაა. კონვერტერულ პროცესს მართავენ გამომთვლელი მანქანებით. კ-იდან ფოლადს ელექტრიფიცირებულ დისტანციურად სამართ თვითმავალ ურიკაზე დადგმულ ციცხვში ასხამენ და სამსხმელო განყ-ბაში ეადააქვთ.

ფერად მეტალურგიაში ძირითადად ცილინდრული ფორმის კ-ებს იყენებენ. მათი დიამეტრია 3—4 *მ*, სიგრძე—6—9 *მ*, ტევადობა—40—100 ტ. ამონაგს მაგნეზიტის აგურებისაგან აკეთებენ და მაგნეზიტისავე ფენით ფარავენ. ჰაერის მისაწოდებელი ქშინები კ-ის ქვედა ნაწილშია განლაგებული.

ლიტ.: Афанасьев С. Г., Краткий справочник конвертерщика, М., 1967; Марцинковский Д. Б., Погребинский В. А., Конвертерные цехи большой производительности, М., 1961.

მ. ცქიტიშვილი.

კონვერტერული წარმოება, ფოლადის მიღება ფოლადსადნობ აგრეგატში, *კონვერტერში*, გამდნარი თუჯის ჰაერით ან ჟანგბადით გაქრევის ხერხით. თუჯი ფოლადად გარდაიქმნება თუჯში არსებული მინარევების (Si, Mn, C და სხვ.) ჟანგბადით დაჟანგვისა და მიღებული პროდუქტების წიდაში ან აირივან ფაზაში გადასვლის შედეგად. კონვერტერული ფოლადის მიღების ხერხი 1856 შეიმუშავა ინგლ. გამომგონებელმა ჰ. *ბესემერმა*. ამ მეთოდით ფოლადს ღებულობდნენ მჟავეამონაგიან ქვემოდან გასაქრევ კონვერტერში. მიღებული ფოლადი დაბალი ხარისხის იყო, რადგანაც მავნე მინარევებს (S, P) შეიცავდა. 1878 ინგლ. ს. *ტომასმა* კონვერტერში ფუძე ამონაგი გამოიყენა, ლითონიდან ფოსფორის მოსაცილებლად კი კაზმს კირი დაუმატა. *ტომასის პროცესი* მაღალფოსფორიანი რკინის მადნების გადამუშავების საშუალებას იძლეოდა. 1864 ფრანგმა მეტალურგმა პ. *მარტენმა* შეიმუშავა ფოლადის მარტენის ღუმლებში მიღების ხერხი. ფოლადის მიღების კონვერტერული ხერხისაგან განსხვავებით, მარტენის ტუტე პროცესი ნაკლებ მოთხოვნებს უყენებდა საწყისი მასალის ქიმ. შედგენილობას და დიდი რაოდენობის ჯართის გადამუშავების საშუალებას იძლეოდა. ამასთან, მარტენის ფოლადის ხარისხი კონვერტერულზე უფრო მაღალი იყო. 1936 საბჭ. ინჟ. ნ. მოზგოვიმ თუჯის გასაქრევად (ქვემოდან გასაქრევ კონვერტერში) პირველმა გამოიყენა ჟანგბადი, რამაც მთლიანად შეცვალა კ. წ-ის ტექნოლოგია. ჟანგბად-კონვერტერული პროცესის მიმდინარეობისას კონვერტერში იქმნება მაღალი ტემპ-რის ზონა (2100—2500°C), სადაც რკინასა და თუჯში შემავალი ელემენტები ინტენსიურად იჟანგება. წარმოქმნილი რკინის ჟანგი ურთიერთქმედებს თუჯის მინარევებთან, ამავე დროს მაღალი ტემპ-რის ზონაში კირქვა სწრაფად დნება და გაქრევის პროცესში P და S წიდაში გადადის.

ჟანგბადით გაქრევისას კ. წ-ის მიმდინარეობას აკონტროლებენ ავტომატური სპექტროსკოპით ან თვალით, გაქრევის ხანგრძლივობით ან დახარჯული ჟანგბადის რაოდენობით. ჟანგბად-კონვერტერული პროცესით მიღებული ფოლადის ხარისხი მარტენის ღუმლებში მიღებულ ფოლადის ხარისხს გაუთანაბრდა. ფოლადის თვითღირებულება 20—25%-ით შემცირდა; მწარმოებლურობა კი 25—30%-ით გაიზარდა.

ლიტ.: Дой-Дзе. Конвертерное производство стали, пер. с япон., М., 1971; Туркенич Д. И., Автоматизация процесса плавки в кислородном конвертере, [М.], 1966. *მ. ცქიტიშვილი.*

კონვერტირება შტეინისა, სპილენძის, ნიკელისა და ტყვიის წარმოების თხევადი შტეინის გადამუშავების პირომეტალურგიული პროცესი, რ-ის მიზანია პირველადი ლითონის ან ლითონის სულფიდის მიღება. კ-ის პროცესს ატარებენ *კონვერტერში*. სპილენძის კ-ის პროცესი ორ პერიოდად იყოფა. პირველ პე-

რიოდში გამდნარი სპილენძის შტეინის ჰაერით გაქრევისას რკინის სულფიდი რეაგირებს ჟანგბადთან და მიიღება რკინის ქვეჟანგი და გოგირდოვანი ანჰიდრიდი. რკინის ქვეჟანგი უკავშირდება კაჟმიწას, რ-იც კონვერტერში გამდნარ შტეინთან ერთად იტვირთება და წარმოქმნის წიდას. კონვერტერიდან წიდას პერიოდულად გადმოასხამენ ხოლმე, გაქრევის პროცესს კი შტეინიდან რკინის მთლიანად განდევნამდე აგრძელებენ. წიდის გადმოსხმის შემდეგ იწყება კ-ის მეორე პერიოდი. ჰაერით გაქრევისას კუპროსულფიდიდან მიიღება სპილენძის ქვეჟანგი. მისი და კუპროსულფიდის ურთიერთქმედებით წარმოიქმნება ლითონური სპილენძი და გოგირდოვანი ანჰიდრიდი, ნიკლის შტეინი დიდი რაოდენობით შეიცავს ლითონურ რკინას. შტეინის ჰაერით გაქრევისას ჯერ რკინა იჟანგება, შემდეგ კი — გოგირდოვანი რკინა. ამავე კონვერტერში ლითონური ნიკლის მიღება ფაინშტეინის შემდგომი გაქრევით შეუძლებელია, რადგანაც საჭირო რეაქციის წარმართვა მხოლოდ 1500°C-ზეა შესაძლებელი. პირველადი ნიკელი მიიღება ზევიდან გასაქრევ ვერტ. კონვერტერში ფაინშტეინის ტექ. ჟანგბადით გაქრევის შედეგად. სპილენძ-ტყვიის გაქრევის პირველ პერიოდში რკინის სულფიდთან ერთად ნაწილობრივ იჟანგება იუთიისა და ტყვიის სულფიდი. ჟანგეულებისა და კაჟმიწის ურთიერთმოქმედებით წარმოიქმნება წიდა. თუთიისა და ტყვიის ნაწილს, რ-იც ორთქლის ფაზაში გადადის, კონვერტერული მტვრის სახით იჭერს მტვერსაჭერი მოწყობილობა. კ-ის პროცესი ავტოგენურია. კ-ისას წარმოქმნილი აირები საშუალოდ 3—4%-მდე SO_2-ს შეიცავს. მათ ნაწილობრივ გოგირდმჟავას წარმოებაში იყენებენ. კონვერტერულ წიდას, რ-იც 3%-მდე ფერად ლითონებს შეიცავს, აბრუნებენ სადნობ აგრეგატში, ხოლო კონვერტერულ მტვერს (შეიცავს 20—30% ფერად ლითონებს) — კონვერტერებში. *ვ. რცხილაძე.*

კონვექცია (ლათ. convectio — მოზიდვა, მოტანა), სითბოს გადატანა სითხეში, აირში ან ფხვიერ გარემოში ნივთიერების ნაკადებით. განარჩევენ ბუნებრივ ანუ თავისუფალ და იძულებით კ-ს. ბუნებრივი კ. წარმოიშობა გარემოს სხვადასხვა ნაწილის ტემპ-რათა სხვადასხვაობით და მასთან დაკავშირებული სიმკვრივეების სხვადასხვაობით. იძულებითი კ-ის დროს ნივთიერების გადაადგილება უმთავრესად ხდება გარე ზემოქმედების მეშვეობით (მაგ., ტუმბოთი, სარევით და მისთ.). კ. ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში (იხ. *კონვექცია* ატმოსფეროში).

კონვექცია ატმოსფეროში, ჰაერის გარკვეული მოცულობის ვერტიკალური გადაადგილება, რაც გამოწვეულია არქიმედის ძალით—გარემომცველ გარემოსთან შედარებით უფრო თბილი და ნაკლებად მკვრივი ჰაერი მიისწრაფვის ზევით, ხოლო უფრო ცივი და მკვრივი ჰაერი ქვევით ეშვება. ჰაერის ნაკადის სიჩქარე, ჩვეულებრივ, რამდენიმე *მ/წმ*-ია და ზოგჯერ 20—30 *მ/წმ* სჭარბობს. კ-ის განვითარება დაკავშირებულია ჰაერის ტემპ-რის ვერტ. განაწილებასთან. აღმავალი თბილი ჰაერი მანამ მიისწრაფვის ზევით, სანამ მისი ტემპ-რა მაღალია გარემომცველი ჰაერის ტემპ-რაზე, დაღმავალი ცივი ჰაერი კი მანამდე ეშვება ქვევით, სანამ მისი ტემპ-რა დაბალია გარემომცველი ჰაერის ტემპ-რაზე.

კ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ატმოსფეროს მაღალ და დაბალ ფენებს შორის სითბოსა და ტენის ცვლაში, მასთანაა დაკავშირებული გროვა და გროვა-წვიმის ღრუბლების წარმოქმნაც. კ., ჩვეულებრივ, ვითარდება წლის თბილ პერიოდში. დაბალ განედებზე — მთელი წლის განმაცლობაში. საქართვ. ტერიტორიაზე კ. განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული ზაფხულში. *შ. ჯავახიშვილი.*

კონვექციური დენი, დამუხტული სხეულის გადაადგილებით განპირობებული *ელექტრული დენი.* ელექტრონული თეორიის თვალსაზრისით მუხტების ნებისმიერი გადატანა გამოწვეულია დამუხტული მიკრონაწილაკების კონვექციით (გადაადგილებით). ამით აიხსნება კ. დ-ისა და გამტარობის დენის მაგნ. თვისებათა სრული იგივეობა, რაც ცდებით დასტურდება.

კონვიჩნი (Konwitschny) ფრანც (14. VIII. 1901, ფულნეკი, ჩრდ. მორავია, — 28. VII. 1962, ბელგრადი), გერმანელი დირიჟორი (გდრ). 1949—62 ლაიფციგში ხელმძღვანელობდა გეივანდჰაუზის სიმფ. ორკესტრს, პარალელურად (1953—55) დირიჟორად იყო დრეზდენის საოპერო თეატრსა და ბერლინის სახელმწ. ოპერაში (1955-იდან მთავარი დირიჟორი). გდრ-ის ეროვნ. პრემია (1951, 1956, 1960). კ-ს სახელთანაა დაკავშირებული გდრ-ის მუს. კულტურის განვითარება. არაერთხელ იყო საგასტროლოდ სსრკ-ში.

კონი ანატოლი თეოდორეს ძე [28. I (9. II). 1844, პეტერბურგი,—17. IX. 1927, ლენინგრადი], რუსი იურისტი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი. სამართ. დოქტორი (1890), მოსკ. უნ-ტის საპატიო წევრი (1892), პეტერბ. მეცნ. აკად. საპატიო აკადემიკოსი (1900), სახელმწ. საბჭოს წევრი (1907), სენატორი, პეტერბ. იურიდ. საზ-ბის თავ-რე (1916). დაამთავრა მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი (1865). 1866-იდან ეკავა სხვადასხვა თანამდებობა სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურაში. სახელი გაუთქვა ვ. *ზასულიჩის* საქმემ. ზასულიჩის გამამართლებელ განაჩენს, რ-იც გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ კ-ის თავ-რეობით, დიდი საზ. რეზონანსი ჰქონდა. კ-ის საქმიანობა პროგრ. და ჰუმანურ ხასიათს ატარებდა. იგი იყო სამართალწარმოების დემოკრ. პრინციპების მომხრე. ოქტ. რევ. შემდეგ იყო პეტროგრ. უნ-ტის სისხლის სამართალწარმოების პროფესორი (1918—22), გამოდიოდა ლექციებითა და მოხსენებებით სამეცნ. საზ. ორგანიზაციებსა და კულტ.-საგანმან. დაწესებულებებში.

თხზ : Собр. соч., т. 1—8. М , 1966—69.

კონი ფელიქს იაკობის ძე [18 (30). V. 1864, ვარშავა, — 28. VI. 1941. მოსკოვი], პოლონელი, რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. 1882-იდან პარტია „პროლეტარიატ" I-ის წევრი. 1884 დააპატიმრეს და 8 წელი დაჰყო კარის (მდ. კარაზე, იმიერბაიკალეთი) კატორღაში. 1891—1904 გადასახლებაში იყო აღმ. ციმბირში. 1904 პოლ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის მოღვაწე. იმავე პარტიის ცენტრ. მუშათა კომიტეტის წევრი (1905—06), 1905—07 რევ. მონაწილე. 1905 ნოემბ. მუშაობდა პეტერბ. მუშათა დეპუტატების საბჭოში. 1907-იდან ემიგრაციაში იყო, მონაწილეობდა II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის (1907), პოლ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის XI ყრილობის (1912) მუშაობაში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს ინტერნაციონალისტი იყო, 1914 — 17 — შვეიცარიის ს.-დ. პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი. 1917 მაისიდან პეტროგრადში იყო. პოლ. სოციალ. პარტიის მემარცხენე ფრთის ცაკის წევრი რუსეთში და მენშევიკ-ინტერნაციონალისტების სამდივნოს წევრი. 1920 ივლ.-აგვ. — 1921—უკრ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი. 1921—22—უკრ. წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი. კომინტერნის II—VII კონგრესების მონაწილე. 1922—23—კომინტერნის აღმასკომის მდივანი. 1925—35—ინტერნაციონალის საკონტროლო კომისიის წევრი, 1927—35 — მისი თავ-რის მოადგილე. გაზ. „კრასნაია ზვეზდას" (1925—28), „რაბოჩაია გაზეტას" (1928—30), ჟურნ. „ნაშა სტრანას" (1937—41) რედაქტორი და სხვ. პარტიის IX, XI, XIII—XVII ყრილობების დელეგატი. სრულიად რუს. ცაკის წევრი. აქვს შრომები რუს. და პოლ. რევ. მოძრაობის საკითხებზე.

კონია (Konya), ქალაქი სამხრ. თურქეთში, კონიის ვილაიეთის ადმ. ცენტრი. 270 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი, აეროდრომი. კვების (საფქვავი, ხორცის, რძის, შაქრის, ერბო-კარაქის), ტყავის, საფეიქრო, ცემენტის მრეწველობა. ხალიჩების ქსოვა. ჰ. სას.-სამ. რ-ნის (ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი, ცხვარი, ანგორული თხა) ცენტრია. ვაჭრობენ მარცვლეულითა და მატყლით. კ-ის რ-ნში იღებენ ვერცხლისწყალსა და მაგნეზიტს.

იხსენიება (იკონიუმის სახელწოდებით) ძვ. ფრიგიის ქალაქების რიცხვში. ძვ. წ. I ს. — ახ. წ. III ს-ში შედიოდა რომის იმპერიის, შემდეგ—ბიზანტ. შემადგენლობაში. VIII—X სს-ში თავს ესხმოდნენ არაბები. XI—XIV სს-ში *კონიის (იკონიის) სასულთნოს* დედაქალაქია. XV ს. ბოლოს შეუერთდა ოსმალთა იმპერიას (თურქეთს).

ქალაქს გარს ერტყა მძლავრი კედლები. კვარტალები ერთმანეთისაგან გამოყოფილი იყო ზღუდით. ქალაქის ცენტრში შემორჩენილია ციტადელის, სასახლის, მედრესესა და ალაედინ ქეიყუბადის მეჩეთის ნანგრეესები (ყველა—1156—1220). კ-ში არის აგრეთვე სირჩალისა (1243) და საჰიბ-ათას (1262—83) მედრესეები, გუმბათოვანი მედრესეები კარათაი (1252) და ინჯე მინარი (1258); სულთან-ხანის ქარვასლა (1229).

კონიაკი (Cognac), ქალაქი დას. საფრანგეთში, შარანტის დეპარტამენტში. მდებარეობს მდ. შარანტის ხეობაში. 25 ათ. მცხ. (1975). მეღვინეობის დიდი ცენტრი (კ-ის ირგვლივ ვენახებია). ამზადებენ კონიაკს.

კონიაკი, მაღალალკოჰოლიანი სასმელი; ამზადებენ მუხის კასრებში ან მომინანქრებულ ცისტერნებში მუხის ტკეჩთან ერთად დავარგებული საკონიაკე სპირტისაგან, რ-იც მიიღება თეთრი ღვინის მასალის გამოხდით. ახლად გამოხდილი საკონიაკე სპირტი ეთილ-ალკოჰოლის (62—70 მოცულობითი %) გარდა შეიცავს აქროლად კომპონენტებსაც (აქროლადი მჟავეები, ეთერები, ალდეჰიდები, აცეტატები, უმაღლესი სპირტები, ფურფუროლი და სხვ.). დამწიფება-დაძველების პერიოდში მუხის კასრიდან ან ტკეჩებიდან სპირტში გადადის მთრიმლავი ნივთიერებანი, ნახშირწყლები, ცილები და სხვ. ყველა ეს ნივთიერება აქტიურად მონაწილეობს ჰაერის ჟანგბადის მეოხებით მიმდინარე ჟანგვით პროცესში, რის შედეგად სპირტი ღებულობს (დავარგების ხანგრძლივობის შესატყვის) დამახასიათებელ (ქარვის) ფერს, ბუკეტსა და გემოს. დამწიფებულ საკონიაკე სპირტს აზავებენ დარბილებული ან დასპირტული (20—26 მოცულობითი %) წყლით, უმატებენ შაქრის ხსნარსა და კოლერს (თერმული ზემოქმედებით დაშლილ, კარამელიზებულ შაქარს). დაყოვნებისას კ-ს გაწებავენ, გაფილტრავენ და საჭიროების შემთხვევაში თერმულად (გათბობა-გაცივება) ამუშავებენ. კუპაჟის კომპონენტების ასიმილირებისა და გემოვანი თვისებების გასაუმჯობესებლად კ-ს აყოვნებენ მუხის ჭურჭელში სამიდან (ორდინალურს) ექვს (სამარკოს) თვემდე.

კ-ის წარმოება პირველად XVII ს-ში დაიწყეს საფრანგეთში, შარანტის დეპარტამენტში (ცენტრი ქ. კონიაკი, აქედან მოდის სახელწოდებაც). კ-ის წარმოება შემდეგ გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც (იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და სხვ.), სადაც მას *ბრენდის* უწოდებენ. რუს. იმპერიაში, კერძოდ საქართველოში, კ-ის წარმოება დაიწყეს 1888, როცა დ. *სარაჯიშვილმა* თბილისში კ-ის ქ-ნა ააშენა.

სსრკ-ში (რსფსრ, საქ. სსრ, სომხ. სსრ, უკრ. სსრ, აზერბ. სსრ, მოლდ. სსრ, უზბ.

ი. კონიაშვილი.

დაწინწკლული კონიო. ყვავილიანი ყლორტი; ა—ყვავილი; ბ—ნაყოფი.

ს. კონიონკოვი.

ს. კონიონკოვი. „პაგანინი". 1906. ბრინჯაოში ჩამოისხა 1954. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

სსრ) უმეტესად უშვებენ 40—45 მოცულობითი % სპირტის შემცველობის ორდინარულ ჰ-ს, რ-საც 3,- 4- და 5-წლიანი სპირტისაგან ამზადებენ (ასაკი აღინიშნება ვარსკვლავებით) და სამარკო ჰ-ს. სამარკო ჰ-ებია КВ (Коньяк выдержанный —6, 7 წლის ჰ-ის სპირტისაგან მიღებული), КВВК (Коньяк выдержанный высшего качества—8, 10 წლის ჰ-ის სპირტისაგან), „КС" (Коньяк старый—10 წელზე მეტი ხნის ჰ-ის სპირტისაგან).

სომხ. სსრ უშვებს „დვინსა" და „ერევანს", პირველში სპირტის შემცველობაა 50 მოცულობითი %, მეორეში კი — 57.

ჩვენი ქვეყნის ჰ-ებმა საერთაშ. აღიარება პოვეს. აღსანიშნაია ქართ. კონიაკები: „ვარციხე", „ყაზბეგი", „გრემი", „ენისელი", „თბილისი", „საქართველო", „OC" (Очень старый), „აფხაზეთი", „ვარძია", „საიუბილეო 50 წელი". საქართველოში ჰ-ის წარმოების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ვ. *ციციშვილმა.*

ლიტ.: გელაშვილი ნ., მეღვინეობა, ნაწ 2, თბ., 1962; ლაშხი ა., კონიაკის წარმოება, თბ., 1967; სირბილაძე ა., ქართული კონიაკი, თბ., 1973; Бериндзе Г. И., Вина и коньяки Грузии, [Тб., 1965]; Герасимов М. А., Технология вина, М., 1964. *ა. სირბილაძე.*

კონიაშვილი ივანე გრიგოლის ძე [27. IX (9. X). 1889, თბილისი, — 1938], ქართველი საბჭ. კურორტოლოგი და ფიზიოთერაპევტი, პროფ. (1935). სამეცნ. *კურორტოლოგიის* ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1913 დაამთავრა პეტროგრ. სამხ.-სამედ. აკადემია. 1926—30—თსუ-ის, 1930—36 კი თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის გამგე, ერთდროულად, 1928—38—თბილ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ამჟამად ი. კონიაშვილის სახ.) დირექტორი; 1935—38 გაანაგებდა აგრეთვე თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრას. 1924—25 და 1929—30 ჰ. ეცნობოდა საკურორტო-სამკურნ. საქმეს გერმ., იტალ., საფრ. და ჩეხოსლ. კურორტებზე. ჰ-მა პირველმა დაინერგა საქართველოში კვლევის ბიოქიმ. მეთოდები კურორტოლოგიაში. შეისწავლიდა შაქრიან დიაბეტს, ბორჯომის წყლის გავლენას ორგანიზმის ჟანგვა-აღდგენით პროცესებზე და სხვ. იყო საქართვ. ანტირევმატული კომიტეტის ორგანიზატორი და პირველი თავ-რე.

თხზ.: Реакция крови на курортные факторы Кобулети при туберкулёзе лёгких и бронхиальной астме, კრ.: Курорты АССР Аджарии, Тб., 1936, с. 199—219 (თანაავტ.: Л. К. Кутателадзе). *ნ. ცხომელიძე.*

კონიდიუმი (ბერძნ. konia — მტვერი და eidos — სახე), ჩანთიანი და უსრულო სოკოების უსქესო გამრავლების სპორა. წარმოიქმნება მიცელიუმის განსაკუთრებულ განშტოებებზე — კონიოფორებზე. ჰ-ები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, შეფერილობით, უჯრედების რაოდენობით და წარმოშობით. უმდაბლესი სოკოების — ფიკომიცეტების ჰ. მოდიფიცირებული *სპორანგიუმია.*

კონიექტურა (<ლათ. conjectura — მიხვედრა, ვარაუდი), ტექსტის ძნელად ამოსაკითხი, შერყვნილი ან ნაკლული ადგილის აღდგენა. ტექსტის რეკონსტრუქციისას ემყარებიან ტექსტის ამა თუ იმ ელემენტის (გაფორმების, ორთოგრაფიის, ცალკეული სიტყვის ხმარების) განმეორებადობას, მის ვარიანტების მონაცემებს და ანალოგიური შინაარსის ტექსტებში დადასტურებულ სხვა სტანდარტულ ფრაზეოლოგიურ ფორმულებს; ითვალისწინებენ აგრეთვე ძეგლის შექმნისა და ტექსტის გადაწერის ეპოქას.

კონიის (იკონიის) სასულთნო, რუმის ან სელჩუკთა სასულთნო, ფეოდალური სახელმწიფო მცირე აზიაში XI ს. დასასრულსა და XIV ს. დასაწყისში. თავდაპირველად სასულთნოს ცენტრი იყო ნიკეა, შემდეგ — კონია (იკონია). ჰ. ს. შეიქმნა მცირე აზიაში სელჩუკების მიერ ბიზანტ. მიწების დაპყრობის შედეგად. ძლიერებას მიაღწია სულთან *ალაედინ ქეიყუბადის* (განაგებდა 1219—39) დროს. ჰ. ს-ს მთავარი ქ-ები — კონია, კაისერი, სივასი და სხვ. —ხელოსნობის ცენტრებიც იყო. 1243 შემდეგ ჰ. ს. ირანის მონღოლი ილხანების ვასალი გახდა. 1307 დაიშალა წვრილ სამთავროებად.

კონიო (Conium), მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. ორწლოვანი ბალახებია. ცნობილია 4 სახეობა, რ-იც ველურად იზრდება ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. სსრკ-ში (მ. შ. საქართველოშიც) გეხვდება 1 — დაწინწკლული ჰ. (C. maculatum); მაღალი (60—180 *სმ*) ბალახია, ღეროს ქვედა ნაწილი მოწითალომურა ლაქებით აქვს დაფარული, იზრდება დასარეველიანებულ ადგილებში, ტყის პირებზე, მდინარეთა ნაპირებზე და სხვ. შხამიანია (შეიცავს ალკალოიდ კონიინს).

კონიონკოვი სერგეი ტიმოთეს ძე [28. VI (10. VII). 1874, სოფ. კარაკოვიჩი, ახლანდ. სმოლენსკის ოლქი, — 9. X. 1971, მოსკოვი], საბჭ. მოქანდაკე, სსრკ სახ. მხატვარი (1958), სსრკ სამხატვრო აკად. წ. წ. (1954). სოციალ. შრომის გმირი (1964). სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1892-96) და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1899—1902). 1916 იყო ამ აკადემიის წ. წ. „მირ ისკუსსტვა"-ს ექსპონენტი და რუს. მხატვართა კავშირის წევრი. ადრინდ. ნამუშევრებში ასახა მშობლიური ხალხის მძიმე ცხოვრება და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის. შექმნა 1905 რევ. მონაწილეთა რამდენიმე განზოგადებულ-სიმბოლური პორტრეტი („1905 წლის მუშა-მებრძოლი ივანე ჩურკინი", მარმარილო, 1906, სსრკ რევ. მუზეუმი, მოსკოვი). 1900-იანი წლებიდან ჰ. ქმნის ფოლკლორულ-ზღაპრულ სახეებს („სტრიბოგი", 1910, ტრეტიაკოვის გალერეა; „ერუსლან ლაზარევიჩი", 1913, სერპუხოვის ისტ.-სამხატვრო მუზეუმი; — ორივე ხე); შექმნა კომპოზიტორების პორტრეტები („ბახი", მარმარილო, 1910, ნ. მიკულიას კოლექცია, მოსკოვი; „პაგანინი", რამდენიმე ვარიანტი). საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ჰ. მონაწილეობდა მონუმ. პროპაგანდის ვეგმის განხორციელებაში „მშვიდობისა და ხალხთა ძმობისათვის ბრძოლაში დაცემულთადმი" მიძღვნილი მემორიალური დფა, ფერადი ცემენტი, 1918, გახსნაში მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი. „სტეფანე რაზინი თავისი რაზმით", ხე, 1918—19 (ახლა ორივე რუს. მუზეუმში, ლენინგრადი). 1924—45 ცხოვრობდა აშშ-ში.

40-იანი წწ. II ნახ — 60-იან წლებში ჰ-ის მიერ შექმნილი პორტრეტებისათვის დამახასიათებელია სრულყოფილი პლასტ. გადაწყვეტა და ღრმა ფსიქოლოგიზმი [„ნინოჩკა", 1951, რუს. მუზეუმი; „ნიკოს ბელოთიანისი", 1951, სარატოვის ა. რადიშჩევის სახ. სამხატვრო მუზეუმი; „მ. მუსორგსკი", 1953, გორკის სამხატვრო მუზეუმი; ავტოპორტრეტი, 1954, ტრეტიაკოვის გალერეა (ლენინური პრემია, 1957) ყველა — მარმარილო]. სსრკ სახელმწ. პრემია (1951). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლით.

ლიტ.: Каменский А., Конёнков, [М., 1962]; Кравченко К., С. Т. Конёнков, М., 1967.

კონიუგატები (Conjugatophytina), მწვანე წყალმცენარეების ქვეტიპი. ტიპობრივი მტკნარი წყლის ორგანიზმებია, აერთიანებს 2 კლასს: Saccodermophyceae-ს კლასის წარმომადგენლები ერთუჯრედიანი ან ფეოვანად კოლონიური ფორმებია, რ-ის უჯრედებს აქვს მთლიანი გარსი. Placodermophyceae-ს კლასს ეკუთვნის უმთავრესად ერთუჯრედიანი ორგანიზმები, რ-თა უჯრედის გარსი 2 ან რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ჰ-ს მრავალნაირი ფორმის—სპირალური (სპიროგირა), ვარსკვლავისებრი (ზიგნემა), ფირფიტისებრი (მუჟოცია) — ქრომატოფორი აქვთ. ჰ-ის უსქესო გამრავლება ხდება უჯრედის დაყოფით (ერთუჯრედიანებში) და ძაფების დაწყვეტით. მათ ზოოსპორები და მოძრავი გამეტები არა აქვთ. სქესობრივი გამრავლება კონიუგაციის ტიპისაა. ჰ. გავრცელებულია მტკნარ წყალსატევებში; ზიგნემასნაირნი დამდგარ და მდოვრე წყლებზე ქმნიან „ყაპს". *ქ. ყანჩაველი.*

კონიუგაცია (ლათ. conjugatio — შეერთება), 1. წყალმცენარეებში (კონიუგატები) — თავისებური სქესობრივი პროცესი, რ-ის დროსაც ხდება 2 მსგავსი ვეგეტატიური უჯრედის შერწყმა. 2. ინფუზორიებში — 2 უჯრედის სასქესო ბირთვების ურთიერთგაცვლა და მომდევნო შერწყმა წყვილწყვილად. ამ დროს 2 ინფუზორია ერთმანეთს ეხება პირის ხვრელებით. შერწყმისას ვეგეტატიური ბირთვი (მაკრონუკლეუსი) თანდათან იშლება, ხოლო სასქესო ბირთვი (მიკრონუკლეუსი) 2-ჯერ იყოფა მეიოზურად. მიღებული 4 ბირთვიდან 3 იშლება, ხოლო 1 მიტოზით იყოფა და ყოველი ნახევარი მეორე უჯრედის ასეთსავე ნახევართან იცვლება. ნახევრების შერწყმის შემდეგ წარმოიშობა სინკარიონი, რ-შიც ქრომოსომების დიპლოიდური რაოდენობაა. შემდგომში სინკარიონი იყოფა, ერთი ნაწილი გადაიქცევა მაკრონუკლეუსად. მეორე — მიკრონუკლეუსად. ზოგჯერ ერთი უჯრედიდან მეორეში ცოტაოდენი ციტოპლაზმაც გადადის. 3. ბაქტერიებში ჰ. ერთი უჯრედიდან (დონორიდან) მეორეში (რეციპიენტში) გენეტ. მასალის გადასვლის ხერხია. შედეგად რეციპიენტის მემკვიდრული თვისებები იცვლება. 4. ქრომოსომების ჰ. — ჰომოლოგიური ქრომოსომების დროებითი შეხება ერთმანეთთან (დაწვრილებით **იხ.** *მეიოზი*). *დ. ჯობაძე.*

კონიუნქტივა (გვიანდ. ლათ. conjunctivus — შემაერთებელი), თვალის შემაერთებელქსოვილიანი გარსი— გამჭვირვალე ლორწოვანი გარსი, რ-იც ფარავს ქუთუთოების უკანა ზედაპირს და თვალის კაკალს რქოვანამდე. შესაბამისად ჰ-ს ყოფენ ქუთუთოებისა და თვალის კაკლის ანუ სკლერის ჰ.-დ. ჰ. მდიდარია სისხლისა და ლიმფური ძარღვებით, მგრძნობიარე ნერვების დაბოლოებებითა და ჯირკვლებით.

კონიუნქტივიტი, თვალის შემაერთებელქსოვილოვანი გარსის — *კონიუნქტივის* ანთება; ყველაზე გავრცელებული თვალის დაავადება. წარმოშობის მიხედვით ჰ. შეიძლება იყოს ეგზოგენური და ენდოგენური. ეგზოგენურს (უფროხშირია), იწვევს სხვადასხვა მიკრობი (სტრეპტოკოკი, სტაფილოკოკი, დიფთერიის ჩხირი, გონოკოკი, ჰ-ის სპეციფ. გამომწვევი კოხ-ვიქსის ჩხირი და სხვ.), ვირუსული ინფექცია, აგრეთვე მექან. გაღიზიანება (მაგ., ივალში უცხო სხეულის მოხვედრა), მაიონიზებელი გამოსხივება, ულტრაიისფერი სხივები, ქიმ. და სხვ. ფაქტორები. ენდოგენური ჰ-ის მიზეზი შეიძლება იყოს საერთო ინფექცია (წითელა, ქუნთრუშა და სხვ.), კბილების, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის დაავადებები, ცხვირ-ხახის ანთებითი პროცესები; ენდოგენურ ჰ-ს განეკუთვნება ალერგიული ჰ-ც. ჰ. შეიძლება იყოს მწვავე და ქრონ. მწვავე ჰ-ს ახასიათებს თვალიდან ჩირქოვანი გამონადენი, ქუთუთოებისა და თვალის კაკლის კონიუნქტივის გაწითლება, თვალის შეშუპება. კონიუნქტივის ქვეშ წერტილოვანი სისხლჩაქცევები. ზოგჯერ კონიუნქტივის ზედაპირზე წარმოიქმნება ბორცვები, დვრილები და მისი ზედაპირი უსწორმასწორო ხდება.

ქრონიკული ჰ-ის დროს კონიუნქტივაში ცვლილებები ზომიერადაა გამოხატული, უფრო დამახასიათებელია სინათლის შიში და თვალში უცხო სხეულის მოხვედრის სუბიექტური შეგრძნება.

მკურნალობა: სულფანილამიდური პრეპარატები და ანტიბიოტიკები (წვეთებში); ზოგჯერ პორმონული (კორტიკოსტეროიდული) პრეპარატები. ჩირქოვანი გამონადენის დროს თვალის გამორეცხვა ბორის მჟავაოი და კალიუმპერმანგანატის სუსტი ხსნარით.

კონიუნქტურა ეკონომიკური, კაპიტალიზმის დროს—კვლავწარმოების პროცესი კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. კ. ასახავს კაპიტალ. კვლავწარმოების მთელ მსვლელობას თავისი მრავალრიცხოვანი არაციკლური ფაქტორებითა და შემთხვევითი მოვლენებით, აგრეთვე კაპიტალ. ეკონ. განვითარების საგარეო პირობების ცვლილებებით. კ-ის შესწავლისას საჭიროა ეკონ., სოც., პოლიტ., სამხ., ტექ. და სხვ. ფაქტორთა ანალიზი. კაპიტალ. ქვეყნებში კ-ის ძირითადი მაჩვენებლებია სამრეწვ. პროდუქციის გამოშვების მოცულობა, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ხარისხი, მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების მარაგის დონე, ფასების დინამიკა, ხელფასის მოძრაობა და მისი დონე, ფასიანი ქაღალდების კურსი და სხვ. კაპიტალ. წარმოების წესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე და კ-ის ცვალებადობაზე დიდ გავლენას ახდენს სამეცნ.-ტექ. რევოლუცია, სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმი, კონცენტრაციის პროცესი, კაპიტალიზმის მილიტარიზაცია და სხვა ფაქტორები. კაპიტალ. კ-ის ფორმირებასა და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო სოციალ. სისტემის სწრაფი განვითარება, აგრეთვე ის ძვრები, რ-ებიც მიმდინარეობს აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სოციალიზმის დროს კ. არის სოციალ. წარმოების პროდუქტების რეალიზაციის პირობები, რ-იც ყალიბდება თითოეული მოცემული მომენტისათვის და დამოკიდებულია სახ. მეურნ. გეგმის შესრულების მსვლელობაზე. კ-ის ჩამოყალიბების პროცესი განვითარებული სოციალიზმის ელემენტების სრულყოფის პირობებში უპირველესად განისაზღვრება წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებზე მოთხოვნის თანაფარდობით როგორც სახ. მეურნ. დარგების, ასევე მოსახლეობის მხრივ. სოციალიზმის დროს კ-ის მდგომარეობის დამახასიათებელ მაჩვენებლებს წარმოადგენს სასაქონლო მარაგის დონე საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, მოსახლ. ფულადი დანაზოგისა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობის თანაფარდობა და სხვ. სოციალიზმის პირობებში მოთხოვნის კ-ის შესწავლა გვაძლევს საშუალებას დინამიკაში გავითვალისწინოთ მოთხოვნა და მიწოდება და შევადაროთ იგი გეგმურ მაჩვენებელებს. ასეთ ინფორმაციას ღებულობენ კ-ის შემსწავლელ სპეც. სამეცნ.-კვლ. ინ-ტებიდან, რ-საც პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმების შედგენისას ითვალისწინებენ შემდგომი მომენტებისათვის.

კონიუნქტურული მიმართულება ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, მიმდინარეობა, რ-იც ბატონობდა XX ს. დასაწყისში კაპიტალისტური ციკლისა და კრიზისების თეორიაში; წარმოიშვა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად. კ. მ-ის ფუძემდებლები — ვ. ზომბარტი (გერმანია), გ. კასელი (შვეიცია), აგრეთვე მათი მომხრეები—ვ. რეპკე (შვეიცარია), ა. აფტალიონი, ა. პიგუ, დ. რობერტსონი, რ. ჰოუტრი (დიდი ბრიტანეთი), უ. მიჩელი, ა. ბერნსი (აშშ) და სხვ. სხვადასხვა ბურჟ. სკოლას ეკუთვნოდნენ, მაგრამ მათ აერთიანებდა ერთი აზრი — შეეცვალათ კრიზისების მარქსისტული თეორია ე. წ. კონიუნქტურის თეორიით. ამ თეორიის მიხედვით, კაპიტალ. ციკლი სახ. მეურნ. კონიუნქტურის მაღალი და დაბალი ტალღის რეგულარული ცვლაა, ხოლო კრიზისი — შესაძლებელი, მაგრამ ეკონ. აქტივობის დაქვეითების არა აუცილებელი ტენდენცია. კ. მ-ის მომხრეები ყურადღებას ამახვილებდნენ ციკლური მერყეობის მიზეზზე, ხასიათსა და ფორმაზე, სახ.-სამ. კონიუნქტურის, ნატურალურ და ღირებულებითი მაჩვენებლების ეკონ. სტატისტ. ანალიზზე. თანამედროვე ბურჟ. პოლიტ. ეკონომიკაში კ. მ-ის ზოგიერთ დებულებას იყენებენ ეკონ. ზრდის, ეკონ. დინამიკის თეორეტიკოსები. *ჯ. კახნიაშვილი.*

კონიუნქცია, იხ. *მაკავშირებელი.*

კონკისტადორები (ესპ. conquistador—დამპყრობი), XV ს. დასასრულსა და XVI ს-ში სამხრ. და ცენტრალურ ამერიკაში ესპანეთის დამპყრობლური ლაშქრობების მონაწილენი. მათი ლაშქრობების შედეგად დაპყრობილ იქნა ვესტინდოეთი, ცენტრ. და სამხრ. ამერიკა. კ-თა ცნობილი ბელადები იყვნენ: პ. ალვარადო, ნუნიეს დე ბალბოა, პ. ვალდივია, დ. ველასკესი, გ. ხ. კესადა, ე. *კორტესი,* ფ. *პისარო.*

კონკლავი (ლათ. conclave — ჩაკეტილი ოთახი), კარდინალთა კრება, რ-ზეც რომის პაპის გარდაცვალების შემდეგ ირჩევენ ახალ პაპს; ტარდება გარე სამყაროსაგან იზოლირებულ შენობაში (ჩვეულებრივ, სიქსტეს კაპელაში, ვატიკანში). არჩევნები ხდება ფარული კენჭისყრით. ასარჩევად საჭიროა ხმების 2/3 ერთის დამატებით. შენობის კარი მხოლოდ პაპის არჩევის შემდეგ იღება. ეს წესი ლიონის II მსოფლიო საეკლ. კრებაზე (1274) იქნა დადგენილი.

კონკლუდენტური მოქმედება (სამართ.), ისეთი მოქმედება, რ-იდანაც უსიტყვოდ ჩანს, რომ ესა თუ ის პირი თანახმაა დადოს ხელშეკრულება (მაგ., როცა მოქალაქე მიიღებს წინადადებას გარკვეული საფასურით შეიძინოს ნივთი და პასუხის ნაცვლად უსიტყვოდ გადასცემს გამყიდველს სათანადო თანხას).

კონკორდატი (გვიანდ. ლათ. concordatum — შეთანხმება, < ლათ. concordo — თანახმა ვარ), კათოლიკური ეკლესიის მეთაურის — რომის პაპისა და რომელიმე სახელმწიფოს შეთანხმება, რ-იც არეგულირებს ამ სახელმწიფოში კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობას.

კონკრეტული (ლათ. concretus, სიტყვასიტყვით—გამკვრივებული, შესქელებული, შეზრდილი), ფილოსოფიური კატეგორია, რ-ითაც ადგენენ საგნებისა და მოვლენების არსებითი მიმართებების, კავშირებისა და წინააღმდეგობების ყოველმხრივ ცოდნას. დიალექტიკურ მატერიალიზმში იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. როგორც შემეცნების უშუალო, გრძნობად-აღქმადი ან წარმოდგენაში აღდგენილი მთლიანი საწყისი და 2. თეორ. აზროვნების დონე, რ-ზედაც ზოგადლოგიკური აბსტრ. ცოდნა გამდიდრებულია მოვლენების ცალკეული არსებითი მხარეების, ნიშნების, თვისებების, სიღრმისეული მომენტების სისტემური მეცნიერული ცოდნით. თეორ. კ-ის დონეზე მეცნ. ცოდნა არ კმაყოფილდება ზოგადი დეფინიციებით, იგი გამდიდრებულია მოვლენების ისტ.-ლოგიკური, დიალექტ. ხასიათის წვდომით. თეორ. კ-ის დონე გამოხატავს შემეცნების პროცესის გამდიდრებას, გადასვლას შედარებით ღარიბი აბსტრ. ცნებიდან შინაარსით უფრო მდიდარ თეორ. კონკრ. ცნებებზე, რ-ებიც თანმიმდევრული კავშირის სახით ქმნიან მეცნ. თეორიის სისტემას.

ლიტ.: მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1—3, თბ., 1954—59; ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952; მისივე, ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950; ლენინი ვ. ი., ფილოსოფიური რვეულები, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 38, Гегель Г. В. Ф., Наука логики, Соч., т. 5, М., 1937.

კონკრეტული მუსიკა (ფრანგ. musique concréte), ხელოვნური მუსიკალური კომპოზიციები, რ-ებიც იქმნება მაგნიტოფონზე სხვადასხვა სახის ბგერის, განსაკუთრებით, ხმაურის ჩაწერის შედეგად. კ. მ-ის პირველი ნიმუშები შექმნა ინჟინერ-აკუსტიკოსმა პ. შეფერმა 1948 პარიზში (ეტიუდი „ტურნიკეტი", „რკინიგზის ეტიუდი" და სხვ. პიესები, საერთო სათაურით „ხმაურა კონცერტი"). XX ს. 50-იან წლებში საფრ. ცენტრ. რადიომაუწყებლობასთან შეიქმნა კ. მ-ის ექსპერ. სტუდია, რ-შიც გაერთიანდნენ კომპოზიტორები: პ. ბულეზი, პ. ანრი, ო. მესიანი, ა. ჟოლივე, ფ. არტიუისი და სხვ. კ. მ-ის შემოქმედებითი ჯგუფები შეიქმნა იტალიაში, დას. გერმანიასა და აშშ-ში. მხატვრული შინაარსის გამომსახველობითი საშუალებებია სიღარიბის გამო კ. მ-ს მხოლოდ დამხმარე, გამოყენებითი როლი აკისრია.

ლიტ.: Шнеерсон Г., О музыке живой и мёртвой, М., 1964.

კონკრეტული შრომა, იხ. *საქონელი.*

კონკრეცია (ლათ. concretio — შეზრდა, შედედება), მომრგვალო ფორმის მინერალური წარმონაქმნი დანალექ ქანებში ან ფხვიერ ნალექებში. ფორმის მიხედვით განარჩევენ სფეროსებრ, ელიფსოიდურ, ლინზისებრ და შეზრდილ კ-ებს; აგებულების მიხედვით — კონცენტრულ-შრეებრივს, უხეშზოლიანს, რადიალურ-სხივურსა და გლობულარულს; შედგენილობით არის კარბონატული, Fe, Mn, Si და Al ჟანგეულების, სულფატებისა და სულფიდების კ-ები. კ. უმეტესად *დიაგენეზისის* პროცესში წარმოიქმნება. ოკეანის ფსკერზე გავრცელებულია რკინა-მანგანუმის კ-ები, რ-თაც სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს.

გ. ჩიხრაძე.

ს. კონიონკოვი. „ფრთოსანი". ხე. 1913. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

კონკურენცია (გვიანდ. ლათ. concurentia<concurro—მოვაწყდები, შევეჯახები), წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობასთან დაკავშირებული კატეგორია. კ. ასახავს ანტაგონისტურ ბრძოლას კერძო საქონელმწარმოებლებს შორის საქონლის წარმოებისა და მისი რეალიზაციის საუკეთესო პირობების მოსაპოვებლად. კ. საზ. წარმოების სტიქიური რეგულირების მექანიზმიცაა.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება იწვევს ცალკეულ საწარმოთა ეკონ. განცალკევებულობას, ხოლო ცალკეულ მეწარმეთა კერძო ინტერესი, მისწრაფება მიითვისონ საზ. წარმოებაში შექმნილი *ზედმეტი ღირებულების* რაც შეიძლება მეტი ნაწილი, გარდაუვალად წარმოშობს მწვავე კ-ს მათ შორის. ამრიგად, კ. კაპიტალ. საქონელწარმოების ობიექტური კანონზომიერებაა, კაპიტალ. წარმოების წესის ანარქიული ფუნქციონირებისა და განვითარების კონკრ. მექანიზმია.

კ-ის წარმოშობა ისტორიულად დაკავშირებულია მარტივ საქონელწარმოებასთან.

მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი იყო თავისუფალი კ., რ-ის დროს გამოიყოფოდა კონკურენციული ბრძოლის ორი ძირითადი ფორმა: შიგადარგობრივი და დარგთაშორისი, თავისუფალი კ-ის პროცესში „საკონკურენციო ბრძოლა საქონლის გაიაფების გზით წარმოებს. საქონლის გაიაფება caeteris paribus (სხვა თანაბარ პირობებში) დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი — წარმოების მასშტაბზე. ამიტომ უფრო მსხვილი კაპიტალი უფრო წვრილ კაპიტალს ამარცხებს (მარქსი კ., კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 198).

კონკრეცია. რადიალურ-სხივური კონკრეციის შინაგანი აგებულების სქემა.

კ-ს თან ახლავს *კაპიტალის კონცენტრაცია* და *კაპიტალის ცენტრალიზაცია,* რაც თავისუფალი კ-ის ბატონობიდან მონოპ. ბატონობაზე გადასვლის ეკონ. საფუძველია. წარმოების კონცენტრაცია და კრედიტის როლის ამაღლება კიდევ უფრო ამწვავებს კონკურენციულ ბრძოლას, უფრო საშიშს ხდის მის შედეგებს, ამიტომ ობიექტურად წარმოიშობა მეწარმეთა შორის შეთანხმების მოთხოვნილება. იგი გაიოლებულია იმით, რომ

დ. კონოვალოვი.

კონოლოფი.

მ. კონოპნიცკა.

მსხვილ მეწარმეთა რაოდენობა მცირეა, ხოლო შეთანხმება იძლევა მოგების გაზრდის პერსპექტივას. ამრიგად, თავისუფალი კ. თანდათანობით გადადის თავის დაპირისპირებულობაში — მონოპოლიაში, მაგრამ მონოპოლიები ვერ სპობს კ-ს, აგი მხოლოდ მის თავისუფლებას ზღუდავს.

იმპერიალიზმის დროს იცვლება კ-ის ბრძოლის ფორმები; იგი უფრო მრავალფეროვანი ხდება, უფრო მკაცრი და მტაცებულურია მისი მეთოდები. კონკურენციული ბრძოლა ვრცელდება გასაღების ბაზრის, ნედლეულის წყაროების, ხელსაყრელი კრედიტის, მეცნ.-ტექ. პროგრესის შედეგების და კვალიფიციურ მუშაკთა მონოპოლიაზე. მონოპ. კ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ფასების კ-ის როლის შეცვლა. იგი მიმდინარეობს ფასების მანევრირების მეშვეობით (ფარული დათმობის სისტემა, სხვადასხვა ხარისხის საქონელზე ერთი და იგივე ფასის დაწესება და სხვ.). კონკურენციული ბრძოლის საშუალებებია: ნაწარმის ხარისხი და სიმედობა, რეალიზაციის მეთოდები, შეთავაზებული მომსახურებისა და გარანტიის ხასიათი, ეკონ. ჯაშუშობა, სავაჭრო რეკლამა და სხვ. აგრეთვე არასაბაზრო ფორმები: ფინანსური მაქინაციები, ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია, ქრთამი, ეკონ. ბოიკოტი და ა. შ. მონოპ. კ. ერთი მხრივ, აჩქარებს მეცნ.-ტექ. პროგრესს, ხოლო მეორე მხრივ, ამწვავებს კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას. წარმოების კონცენტრაციის განსაზღვრულ საფეხურზე წარმოიშობა მონოპ. შეთანხმების ტენდენცია სხვადასხვა ქვეყნის მონოპ. ჯგუფებს შორის. ამდენად, კ-ის ასპარეზი ხდება მთელი მსფოლიო კაპიტალ. მეურნეობა.

წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია იწვევს კონკურენციული ბრძოლის ანტაგონისტური კანონების მოქმედების შეწყვეტას. საზ. საკუთრების საფუძველზე წარმოიშობა და ვითარდება სოციალ. შეჯიბრება.

ჯ. კახნიაშვილი.

კონკურენცია (ბიოლ.), შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა, ერთი და იმავე ან სხვადასხვა სახეობის ორგანიზმთა ურთიერთდამოკიდებულება, რ-იც გამოიხატება მათი შეჯიბრებით არსებობისათვის ან გამრავლებისათვის საჭირო ერთი და იმავე პირობების მოსაპოვებლად. ერთ *პოპულაციაში* არსებული ინდივიდ. განსხვავებების საფუძველზე მიმდინარეობს ჯ გ უ ფ შ ი გ ა კ., სხვადასხვა პოპულაციას შორის არსებული ჯგუფური განსხვავებების საფუძველზე კი — ჯ გ უ ფ შ ო რ ი ს ი კ., რ-იც განაპირობებს ამ განსხვავებების გაძლიერებას და დაგროვებას. ეს კი ხელს უწყობს *ბუნებრივი გადარჩევით* ჯერ ქვესახეობების და შემდეგ სახეობების წარმოქმნას. კ. არსებობისათვის ბრძოლის ერთი მხარეა და განსხვავდება ე ლ ი მ ი ნ ა ც ი ი ს ა გ ა ნ (ნაკლებად შეგუებულ ფორმათა განადგურება და გამრავლების შეწყვეტა). იხ. *ბრძოლა არსებობისათვის.* *ლ. ნათაძე.*

კონკურსი (ლათ. concursus), შეჯიბრება, რ-ის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა. 1. ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი — სახელმწ., კოოპ. ან სხვა საზ. ორგანიზაციის მიერ საგანგებო ჯილდოს (პრემიის) საჯარო აღთქმა ისეთი სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის, რ-იც ხელს უწყობს კულტ. და ტექ. პროგრესს. კ-ის გამოცხადება შეუძლიათ ისეთ ორგანიზაციებს, რ-თაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ თავიანთი წესდებით (დებულებით), სსრკ კანონმდებლობით ან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. განცხადება კ-ის ჩატარების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ (რადიოს, პრესის ან სხვ. საშუალებით). კ-ში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც მოქალაქეებს, ისე იურიდ. პირებს. ნამუშევრებს განიხილავს, აფასებს და მათ შორის საუკეთესოს პრემიას ანიჭებს თვით კ-ის მომწყობი ან მის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია — ჟიური (იხ. საქ. სსრ სამოქალაქო სამართ. კოდ., მმ. 452—456).

2. შ რ ო მ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ შ ი გათვალისწინებულია კ-ის ჩატარება ზოგიერთი ვაკანტური თანამდებობის (უმაღლეს სასწავლებელში — პროფესორ-მასწავლებლის, სამეცნ.-კვლ. ინ-ტში — მეცნიერი თანამშრომლის) დასაკავებლად. კ. ტარდება აგრეთვე თეატრებსა და მხატვრულ კოლექტივებში შემოქმედებითი მუშაკების საშტატო თანამდებობებზე (მსახიობის, რეჟისორის და ა. შ.), ქალაქის საავადმყოფოებში ექიმის თანამდებობაზე მიღებისას და სხვ.

კ. ტარდება იმ პირთა შორისაც, ვინც მისაღებ გამოცდებს აბარებს უმაღლეს ან. საშ. სპეც. სასწავლებელში ჩასარიცხად. ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა საერთაშ., საკავშ. და ადგილ. კ-ების ჩატარება მხატვრული ნაწარმოების საესტრადო შემსრულებელთა, სპორტსმენთა და სხვ. შორის.

3. ს ა ვ ა ჭ რ ო კ. — უმეტეს კაპიტალ. სახელმწიფოთა სამართლით გათვალისწინებული საგანგებო სასამართლო პროცესი, რ-იც ტარდება მოვალის ვალაუვალად გამოცხადებასთან დაკავშირებით. ამ პროცესის მიზანია მოვალის ქონებიდან კრედიტორთა მოთხოვნების რაც შეიძლება უფრო თანაზომიერად დაკმაყოფილება. სავაჭრო კ-ის პროცესში უნდა დადგინდეს მოვალის ქონების მოცულობა, კრედიტორთა მოთხოვნების ხასიათი და აგრეთვე მათი დაკმაყოფილების რიგი. *თ. ცაგურია.*

კონოვალოვი დიმიტრი პეტრეს ძე [10 (22). III. 1856, სოფ. ივანოვცი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკის ოლქი, — 6. I. 1929, ლენინგრადი], საბჭ. ქიმიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1923). დაამთავრა პეტერბ. სამთო ინ-ტი (1878). 1886—1907 პეტერბ. უნ-ტის პროფესორი. 1916—18 პეტროგრ. ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი. 1919—22 დნეპროპეტროვსკის ქიმია-ენერგეტ. ინ-ტის დირექტორი. 1922-იდან ზომისა და წონის მთავარი პალატის პრეზიდენტი და პეტროგრადის ტექნოლ. ინ-ტის პროფესორი. ფართოდაა ცნობილი კ-ის კანონები. კ-მა შემოიღო ცნება ზედაპირული აქტივობისა, რ-საც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰეტეროგენული კატალიზისა და ქიმ. კინეტიკის თეორიის განვითარებისათვის. მასვე ეკუთვნის შრომები ტექ. ქიმიაში. 1923-იდან დაწყებული რამდენჯერმე იყო არჩეული რუს. ფიზ.-ქიმ. საზ-ბის პრეზიდენტად.

ლიტ.: С о л о в ь ё в Ю. И., К и п н и с А. Я., Дмитрий Петрович Коновалов. 1856—1929, М., 1964 (ბიობიბლიოგრ.).

კონოვნიცინი პეტრე პეტრეს ძე [28. IX (9. X). 1764, — 28. VIII (9. IX). 1822, პეტერგოფი, ახლანდ. პეტროდვორეცი], რუსი ინფანტერიის გენერალი (1817), გენ.-ადიუტანტი (1812), გრაფი (1819). არმიაში მსახურობდა 1785-იდან. რუსეთ-შვეციის ომის (1808—09) დროს მოქმედი არმიის შტაბის მორიგე გენერალი იყო. 1812 სამამულო ომის დასაწყისში მე-3 ქვეით დივიზიას მეთაურობდა; 16-იდან 23 აგვ-მდე, არიერგარდის მეთაურობისას, კ-მა უზრუნველყო მთავარი ძალების უკან დახევა და მათი გაშლა ბოროდინოსთან. ბოროდინოს ბრძოლის დროს სემიონოვსკოეს ფლეშების დაკარგვისა და პ. ბაგრატიონის დაჭრის შემდეგ დროებით მეთაურობდა მე-2 არმიას, მოაწყო დაცვა და შეინარჩუნა პოზიცია სემიონოვსკოეს ხევის აღმ-ით. 6 სექტ-იდან იყო გაერთ. დას. არმიების შტაბის მორიგე გენერალი. 1813 იანვრიდან მეთაურობდა გრენადერთა კორპუსს. 1814-იდან ალექსანდრე I-ის ამალაში იყო. 1815—19 — სამხ. მინისტრი. 1819-იდან — სახელმწ. საბჭოს წევრი.

კონოლი (Connolly) ჯეიმზ (5. VI. 1868. ედინბურგი, — 12. V. 1916, დუბლინი), ირლანდიელი რევოლუციონერი, 1896 დუბლინში დააარსა ირლანდიის სოციალ. რესპპარტია, რ-იც მიზნად ისახავდა სოციალიზმისათვის ბრძოლის გაერთიანებას ეროვნ. განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან. 1903—10 ცხოვრობდა აშშ-ში. 1910 დაბრუნდა ირლანდიაში. ხელმძღვანელობდა დუბლინის გაფიცვას (1913), მიუხედავად სინდიკალისტური შეცდომებისა, დიდი ღვაწლი მიუძღვის ირლანდიაში მარქსიზმის პროპაგანდაში. ირლანდიის აჯანყების (1916) ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო. აჯანყების დამარცხების შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა ინგლ. მთავრობას და დახვრიტეს.

კონოლოფი (Conolophus subcristatus), ხვლიკი იგუანისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 1 *მ* აღწევს. ზურგზე დაბალი ქედი გასდევს. თავი კაშკაშა ლიმონისფერია, ზურგის ცენტრ. ნაწილი — მოყავისფრო-წითელი, გვერდებისაკენ კი მუქ მურა ფერში გადადის. იკვებება მცენარეულობით, უფრო კაქტუსებით. კ. გავრცელებულია გალაპაგოსის კ-ებზე. ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ კ-ზეა შემორჩენილი.

კონონოვი ანდრეი ნიკოლოზის ძე [დ. 14 (27). X. 1906, პეტერბურგი), საბჭ. ენათმეცნიერი, თურქოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974-იდან). სსრკ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის ლენინგრ. განყ-ბის დირექტორი (1961—63). 1963-იდან ამავე განყ-ბის თურქოლოგიის სექტორის მეცნ. თანამშრომელი; საბჭ. თურქოლოგთა კომიტეტის თავ-რე. თურქული ლინგვისტური საზ-ბის საპატიო წევრი. კ-ს ეკუთვნის „თანამედროვე თურქული სალიტერატურო ენის გრამატიკა" (1956), „თანამედროვე უზბეკური სალიტერატურო ენის გრამატიკა" (1960) და მრავალრიცხოვანი შრომები თურქ. ენების ისტ. და აღმოსავლეთმცოდნეობის ისტ. საკითხებზე.

კონოპნიცკა (Konopnicka) მარია (ფსევდ. იან სავა, Jan Sawa) (23. V. 1842, სუვალკი, — 8. X. 1910, ლვოვი), პოლონელი მწერალი ქალი. მეფის მთავრობა სდევნიდა და 1890-იდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ლექსთა პირველი ციკლი „მთებში" გამოაქვეყნა 1876. კ-მ ლექსებში „სურათები" (კრებულიდან „პოეზია", ტ. 1, 1881), ნოველების ციკლში „ჩემი ნაცნობები" (1890) და სხვ. ასახა ღარიბთა ცხოვრება. ლექსთა კრებულში „პოეზია" (ტ. 2—3, 1883—86) გაერთიანებულია ფოლკლორულ მოტივებზე დაწერილი ნაწარმოებები. დემოკრ. და პატრ. მოტივებს შეიცავს ლექსთა კრებულები „პოეზია" (ტ. 4, 1896), „იტალია" (1901) და სხვ. კ-ს ეკუთვნის ეპიკური პოემა „ბატონი ბალცერი ბრაზილიაში" (1892—1906, სრული გამოცემა 1910), რ-შიც აღწერილია პოლ. ემიგრანტ გლეხთა ბედი, პოლ. გლეხობის რევ. განწყობილება. კ. პოლონური რეალისტური ლიტ-რის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

კონოსამენტი, დოკუმენტი, რ-საც გადამზიდავი აძლევს ტვირთის გამგზავნს საზღვაო გადაზიდვის დროს. კ. ტვირთის მიღებისა და საზღვაო გადაზიდვისას ხელშეკრულების დადების დამამტკიცებელი საბუთია. იგი საქონელგანმკარგველი დოკუმენტიცაა, რ-იც მის ხელთმქონეს აძლევს ტვირთის განკარგვის (გაყიდვის, დაგირავების) უფლებას. კ. შეიძლება იყოს: ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი, როცა საბუთში მითითებულია მიმღები; ს ა ო რ დ ე რ ო, რ-ის მიხედვით ტვირთი გაიცემა ტვირთის გამგზავნის ან მიმღების ბრძანებისამებრ, და ს ა წ ა რ მ დ გ ე ნ ლ ო. სახელობითი და საორდერო კ-ის გადაცემა ჩვეულებრივ ხდება გადაცემის წარწერის — ინდოსამენტის გზით, საწარმდგენლოსი კი — აბ. ხელთმქონისათვის კ-ის ფაქტობრივი გადაცემის მეშვეობით. საბჭ. კანონმდებლობაში კ-ის შესახებ დადგენილებებს შეიცავს სსრკ სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის მმ. 123 და 126.

კონოტაცია [გვიანდ. ლათ. connotatio< ლათ. con (cum)—ერთად და noto—აღვნიშნავ], სიტყვის მნიშვნელობის თანმხლები გრძნობითი ელფერი (მაგ., გარდაიცვალა = მოკვდა + პატივისცემის ელფერი, შვილიკო=შვილი+მოფერების ელფერი).

კონოტოპი, ქალაქი უკრ. სსრ სუმის ოლქში, მდ. ეზუჩის (მდ. სეიმის შენაკადი) ნაპირზე. კონოტოპის რ-ნის ცენტრი. სარკინიგზო კვანძი. 77 ათ. მცხ. (1977). ქ-ნები: „კრასნი მეტალისტი", ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, დგუშების, 2 რკინაბეტონის ნაკეთობათა, 2 საშენ მასალათა; რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები, სამკერვალო ფ-კა, ხორცკომბინატი, კარაქის ქ-ნა და სხვ. ქ-შია ხარკოვის პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკ-ტი, ინდუსტრ., სამშენებლო ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. სახ. თეატრი, მზარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქ. დაარსდა XVII ს-ში.

კონრადი ნიკოლოზ იოსების ძე [1 (13). III. 1891, რიგა, — 30. IX. 1970, მოსკოვი], საბჭ. აღმოსავლეთმცოდნე-იაპონისტი. პროფესორი (1926); სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). იკვლევდა იაპ., აგრეთვე ჩინ. და კორ. ენას, ლიტ-რას, ისტორიასა და კულტურას. ევრ. ენებისა და ლიტერის ღრმა ცოდნამ მას შესაძლებლობა მისცა ხელი მოეკიდა დას. და აღმ. კულტ. რიგი საკითხების შედარებითი შესწავლისათვის, რისი შედეგებიც აისახა გამოკვლევაში „დასავლეთი და აღმოსავლეთი" (II გამოც. 1972). ქ. დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

ლიტ.: Историко-филологические исследования, М., 1967 (ახლავს ქ-ის შრომათა ბიბლიოგრ.). *კ. წერეთელი.*

კონრადი (Conrad) ჩარლზ (დ. 2. VI. 1930, ფილადელფია), აშშ-ის კოსმონავტი მფრინავი, სამხ.-საზღვაო ფლოტის 1-ლი რანგის კაპიტანი. 1953 დაამთავრა პრინსტონის უნ-ტი, 1961 — გამომცდელ მფრინავთა სამხ.-საზღვაო სკოლა მერილენდის შტატში. 1962 შეიყვანეს აერონავტიკისა და კოსმ. სივრცის კვლევის ეროვნ. სამმართველოს კოსმონავტთა ჯგუფში. კოსმოსში პირველად იფრინა 1965 წ. 21—29 აგვ. ჰ. კუპერთან ერთად, ხომალდ „ჯემინი-5-ით"; იყო მეორე პილოტი. ხომალდმა 120-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. მეორედ გაფრინდა 1966 წ. 12 სექტ. *რ. გორდონთან* ერთად „ჯემინი-11-ით" (ხომალდმა 44-ჯერ შემოუფრინა დედამიწას). ფრენის დროს ხომალდი ბაგირით შეუერთეს რაკეტა-სამიზნე „აჯენას", ამასთან, კოსმ. ხომალდში პირველად შეიქმნა ხელოვნური გრავიტაცია. ქ-ის მე-3 კოსმ. ფრენა (რ. გორდონთან და ა. ბინთან ერთად) განხორციელდა 1969 წ. 14—24 ნოემბ. „აპოლონ-12-ით". 1969 წ. 19 ნოემბ., ქ. ა. ბინთან ერთად დაეშვა მთვარეზე ქარიშხლების ოკეანეში; ორჯერ გამოვიდა მთვარის ზედაპირზე (საერთო ხანგრძლივობა 31 *სთ* 31,5 *წთ*). 1973 წ. 25 მაისს ხომალდ „აპოლონით" მეოთხედ გაფრინდა კოსმოსში (ჯ. კერვინთან და პ. ვეიცთან ერთად). ხომალდი შეუპირაპირდა 1973 წ. 14 მაისს ორბიტაზე გაშვებულ სამეცნ. სადგურ „სკაილაბს". ამ კომპლექსის ერთობლივი ფრენა 659 *სთ* გაგრძელდა (ფრენის საერთო ხანგრძლივობა 672 *სთ* 50 *წთ*). ფრენისას ქ. ორჯერ გამოვიდა კოსმოსში (საერთო ხანგრძლივობა 5 *სთ*). II, III და IV ფრენის დროს მეთაურობდა ხომალდს.

კონრადი (Conrad) ჯოზეფ (ნამდვ. გვარი და სახელი იუზეფ ტეოდორ კოჟენიოვსკი, Korzeniowski), (3. XII. 1857, ბერდიჩევი, უკრაინა, — 3. VIII. 1924, ბიშოფსბორნი, კენტერბერის ახლოს), ინგლისელი მწერალი. წარმოშობით პოლონელი. სწავლობდა კრაკოვში და ლვოვში. 1880-იდან მსახურობდა ინგლ. ფლოტში, 1884-იდან ინგლ. ქვეშევრდომობაც მიიღო. ქ-ის პირველი რომანებია „ოლმეიერის ახირება" (1895), „კუნძულის დევნილი" (1896), „ზანგი გემ „ნარცისიდან"» (1897), „ლორდი ჯიმი" (1900); 3 რომანი დაწერა ფ. მ. ფორდთან ერთად („მემკვიდრეები", 1901; „რომანტიკულობა", 1903; „ერთი დანაშაულის ხასიათი", 1924); ავტორია აგრეთვე მრავალი რომანისა („ნოსტრომო", 1904; „შემთხვევა", 1914; სიმბოლური და ავტობიოგრ. ელემენტების შემცველი „ჩრდილოვანი ხაზი", 1917 და სხვ.) და ნოველების კრებულებისა („მოუსვენრობის მოთხრობები", 1898 და სხვ.). ქ. უმთავრესად წერდა სათავგადასავლო-ფსიქოლ. ტიპის ნეორომანტ. ნაწარმოებებს. იგი ლიტ. სტილის თვალსაჩინო ოსტატი იყო.

თხზ.: The works, v. 1—22, L.—Toronto, 1923—28.

ლიტ.: Кашкин И., Для читателя-современника, М., 1968; Урнов М. В., На рубеже веков. Очерки английской литературы, М., 1970.

კონრად ფონ ჰეცენდორფი (Conrad von Hötzendorf) ფრანც (11. XI. 1852, პენციგი, ვენის მახლობლად, — 25. VIII. 1925, მერგენტჰაიმი), ავსტრია-უნგრეთის გენერალ-ფელდმარშალი (1916), გრაფი (1918), ე. წ. სამხ. პარტიის მეთაური. იყო I მსოფლიო ომის (1914—18) გაჩაღების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

კონსედიმენტაციური დანაოჭება [ლათ. con (cum) — ერთად და *სედიმენტაცია*], დანაოჭება, რ-იც ვითარდება ნალექების დაგროვებასთან ერთად. ქ. დ-თვის დამახასიათებელია შრეების სისქის შემცირება სინკლინიდან ანტიკლინის თაღისაკენ და ამავე მიმართულებით შედარებით ღრმა ზღვის ნალექების შეცვლა უფრო თხელი ზღვის ნალექებით. ქ. დ. გავრცელებულია ბაქნებზე (ფილაქნებზე) და ორგენიული სარტყლების მთისწინა და მთათაშუა როფებში. *ე. გამყრელიძე.*

კონსერვატიზმი (ფრანგ. conservatisme<ლათ. conservo — ვინახავ, ვიცავ), ძველის, დრომოჭმულის, დამყაყებულის დაცვა; საზ. ცხოვრებაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში ახლის, პროგრესულის მტრობა, მისთვის ხელის შეშლა და წინააღმდეგობის გაწევა.

კონსერვატიული არეალი, ისეთი ენობრივი არეალი (ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ტერიტორიული გავრცელების უბანი), რ-შიც შემონახულია მოცემული ენის არქაული თვისებები (მაგ., ძველი ქართულის თანხმოვანთა სისტემა ხევსურეთში).

კონსერვატიული პარტია დიდ ბრიტანეთისა (The Conservative Party), ინგლისის მონოპოლისტური ბურჟუაზიის მთავარი პარტია; საბოლოოდ ჩამოყალიბდა XIX ს. შუა წლებში *ტორების* პარტიის ევოლუციის საფუძველზე. ქ. პ-ის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა *ბ. დიზრაელიმ.* ქ. პ. თავდაპირველად გამოხატავდა არისტოკრატ-მიწათმფლობელთა ინტერესებს. 1885—86, 1886—92, 1895—1902, 1902—05 კონსერვატორები უცვლელად იდგნენ ხელისუფლების სათავეში, ხოლო 1916—19 და 1919—22 ლიბერალებთან და ლეიბორისტებთან ერთად განაგებდნენ ხელისუფლებას. რუსეთში დიდი ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ ანტისაბჭოთა ინტერვენციის მთავარი ორგანიზატორები კონსერვატორები იყვნენ. I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ხელისუფლების სათავეში უპირატესად კონსერვატორები იმყოფებოდნენ. 1940—55 პარტიის ლიდერი იყო *უ. ჩერჩილი,* რ-იც 1940—45 კოალიციურ მთავრობას მეთაურობდა. 1951—64 ქ. პ. უწყვეტლივ იდგა ხელისუფლების სათავეში. 1970—74 ქ. პ. კვლავ ხელისუფლების სათავეში იყო. ქ. პ-ში დიდი უფლებებით სარგებლობს პარტიის ლიდერი (რ-იც არჩევნებში პარტიის გამარჯვების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრი ხდება), იგი მსხვილი ბურჟ. და მიწათმფლობელთა წარმომადგენელთაგან შემდგარ ვიწრო ჯგუფთან ერთად წყვეტს ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს. პარტიის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარტიის ფრაქცია თემთა პალატაში (ე. წ. 1922 წ. კომიტეტი). ადგილებზე პარტიის ძირითადი უჯრედის როლს ასრულებენ საარჩევნო ოლქების ასოციაციები. პარტიასთან არის ახალგაზრდული ორგანიზაცია, ე. წ. „ახალგაზრდა კონსერვატორები". 1975 პარტიის ლიდერად აირჩიეს მარგარიტ ტეტჩერი. 1979 მაისში ქ. პ. კვლავ ხელისუფლების სათავეში მოექცა.

გ. კილურაძე.

ნ. კონრადი.

ჩ. კონრადი.

კონსერვატიული სისტემა (< ლათ. conservo—ვინახავ), მექანიკური სისტემა, რ-ისთვისაც მართებულია მექანიკური ენერგიის შენახვის კანონი, ე. ი. სისტემის კინეტიკური და პოტენციური ენერგიების ჯამი მუდმივია.

ქ. ს-ის მაგალითია მზის სისტემა. დედამიწის პირობებში, სადაც გარდაუვალია იმ წინააღმდეგობათა ძალების (ხახუნისა და გარემოს წინაღმდეგობანი და სხვა) არსებობა, რ-ებიც იწვევენ მექან. ენერგიის შემცირებას და მის გარდაქმნას ენერგიის სხვა ფორმად (მაგ., სითბოდ). ქ. ს. ხორციელდება მხოლოდ ვიახლოებით.

კონსერვატიული ძალა, იგივეა, რაც *პოტენციური ძალა.*

კონსერვატორია (იტალ. conservatorio, თავდაპირველი მნიშვნელობით—თავშესაფარი < ლათ. conservo — ვინახავ), უმაღლესი მუსიკალური სასწავლო დაწესებულება, რ-იც ამზადებს მუსიკალური ხელოვნების სპეციალისტებს: შემსრულებლებს (ინსტრუმენტალისტებს, ვოკალისტებს, დირიჟორებს, კომპოზიტორებს, მუსიკათმცოდნეებს). XVI ს-ში ქ-ს უწოდებდნენ ობოლ და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, სადაც მათ ხელობას ასწავლიდნენ (პირველი ქ. ნეაპოლში 1537), XVII ს-ში ასეთ თავშესაფარში შემოიღეს მუს. სწავლება. XVIII ს-ში იტალიაში ქ-ები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მუსიკოს-შემსრულებელთა და კომპოზიტორთა მომზადებაში. აქ სწავლობდნენ ევრ. სხვა ქვეყნების მუსიკოსებიც. ბურჟ. წყობილების განვითარებასთან ერთად დას. ევრ. ქვეყნებში გაიზარდა მოთხოვნა პროფესიონალ მუსიკოსებზე, ამან კი გამოიწვია სპეც. მუს. უმაღლესი სასწავლებლის შექმნის აუცილებლობა. პირველი ასეთი სასწავლებელი იყო პარიზის ეროვნ. მუს. ინ-ტი (1793), რ-ის საფუძველზე 1795 დაარსდა მუსიკისა და დეკლამაციის კონსერვატორია. XIX ს. I ნახევარში ქ-ები შეიქმნა ევრ. და ამერ. მრავალ ქალაქში. საზღვარგარეთის ქ-თა უმრავლესობა ამზადებს შემსრულებლებსა და კომპოზიტორებს: მუსიკათმცოდნეები ამთავრებენ უნ-ტების მუს. ფაკ-ტებს. ქ-ში სწავლების ვადაა 3—5 წელი. რუსეთში პირველი ქ-ები დაარსდა პეტერბურგსა (1862) და მოსკოვში (1866). 1883 გაიხსნა მოსკ. ფილარმონიული საზ-ბის მუს.-დრამ. სასწავლებელი (1886-იდან ქ-ის უფლებებით). 1912 ქ. დაარსდა სარატოვში, 1913 — კიევსა და ოდესაში, 1917 — თბილისში. საბჭ. წყობილების დამყარების შემდეგ ქ-ები გაიხსნა თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

ქ-ში არის თეორ. საკომპოზიციო, ვოკალური, საფორტეპიანო, საორკესტრო, ხალხ. საკრავების ფაკ-ტები, ზოგიერთ ქ-ში — სადირიჟორო განყ-ბაც. მოსკ. ქ-ის ეარდა ყველას აქვს დაუსწრებელი განყ-ბა. ქ-თა უმრავლესობაში შექმნილია საღამოს განყ-ბა და ორწლიანი ვოკალურ-მოსამზადებელი კურსები, აგრეთვე ნიჭიერთა ათწლედები. საბჭ. ქ. ამზადებს მუსიკათმცოდნეებსაც. სწავლების ხანგრძლივობა 5 წელია. დიდ ქ-ებში არის ასპირანტურა და ასისტენტთა სტაჟირების განყ-ბა შემოქმედებითი მუშაკებისათვის. იხ. აგრეთვე *სამუსიკო განათლება.*

ლიტ.: Николаев А. А., Консерватории СССР, М., 1966.

კონსერვაცია (ლათ. conservatio—შენახვა, დაცვა), ლონისძიებათა ერთობლიობა, რ-იც პირველყოფილ ან კ-ის დასაწყისში არსებულ სახეს დიდი ხნით უნარჩუნებს ისტორიის და კულტურის ძეგლს, არქეოლოგიურ მონაპოვარს, არქიტექტურის, სახვითი და დეკორატიული ხელოვნების ძეგლებს. ნივთების შენახვის დროს აუცილებელია სპეც. რეჟიმი. ამისათვის იყენებენ ვიტრინების ჰაერის ფილტრებიანი გასაწმენდით; სურათებს ათავსებენ მინასა და მუყაოს შორის. გრავიურებს, ნახატებს, აკვარელს, პასტელს, გუაშს, ქსოვილის ფრაგმენტებს დებენ მინის ქვეშ ან პასპარტუში, ინახავენ სპეც. კარადებსა და საქალალდეებში; დოკუმენტებს და დაბეჭდილ ტექსტებს ამაგრებენ სპეც. ქიმიკატებით; ხისგან, ქსოვილისა და ტყავისაგან გაკეთებულ ნივთებს, რ-ებიც ღაავადებულია სპეციფ. ავადმყოფობით, ამუშავებენ შხამქიმიკატებით, ჟღენთენ ანტისეპტიკური ხსნარით; გამოუწვავი და ნახევრად გამომწვარი თიხის ნაკეთობებს, მშრალი ხის მერქნისგან დამზადებულ ნივთებს, რ-თაც სტრუქტურა დარღვეული აქვთ, ამუშავებენ სინთეზური ფისით. კოროზიისაგან გაწმენდილ ლითონს, მინას, ძვალს ფარავენ უფერული სინთეზური ლაქით. არქიტ. ნაგებობების კ-ის დროს მათ უმაგრებენ საძირკველს, კედლებს, კამარებს, თაღებს; ამოჰყავთ დამცველი პავილიონები. მონუმ. ფერწერის ნიმუშებს ამაგრებენ მაღალხარისხოვანი ფისით, რ-იც არ ცვლის მათ ფერსა და ფაქტურას, ატარებს ჰაერს, იცავს გრუნტს.

კ-ის წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია საგნის შესანახად განსაზღვრული რეჟიმის დაცვაზე. კ-ის მეთოდის შემუშავებასა და მის განხორციელებაზე მუშაობენ ლაბორატორიები და სახელოსნოები: სსრკ-ში—სსრკ კულტურის სამინისტროს კონსერვაციისა და რესტავრაციის საკავშ. სამეცნ.-საკვლევი ცენტრი (1958), სსრკ მეცნ. აკად. დოკუმენტების საკონსერვაციო და სარესტავრაციო ლაბორატორია (1934), საქ. სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოს სამმართველოსთან არსებული სპეციალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება (1978) და სხვ.

კონსერვაცია, 1. ძრავას, მანქანისა და სხვ. უმოქმედობის დროს *კოროზიისაგან* დაცვის ტექნიკური ზომები, რ-ებსაც ტექ. მოწყობილობის ხანგრძლივი შენახვის წინ მიმართავენ. 2. მერქნის დამუშავება *ანტისეპტიკური საშუალებებით,* მისი დანახშირება ან შელებვა ლპობისაგან დასაცავად.

კონსერვი (ლათ. conservo — ვინახავ), მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის საკვები *პროდუქტი,* რ-იც სპეციალურად არის დამუშავებული და განკუთვნილია დიდხანს შესანახად. კ-ს აფასოებენ ლითონის (თუნუქის, ალუმინის), მინის ან პოლიმერულ ტარაში, შემდეგ ჰერმეტულად ხუფავენ და თერმულად ამუშავებენ მიკროორგანიზმების მოსპობის ან მათი ცხოველმყოფლობის შესამცირებლად. კ. ინარჩუნებს კვებით ღირებულებას, კალორიულობას, მინერ. ნივთიერებებსა და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს, ვიტამინების პროცენტული რაოდენობა კი უმნიშვნელოდ მცირდება. კ-ის დამზადებისას ზოგიერთი პროდუქტის ხარისხი იზრდება, რადგან მას აცლიან საჭმელად უვარგის ნაწილებს, ამასთან უმატებენ ცხიმს, შაქარს და სხვ.

სსრკ-ში უშვებენ 800-ზე მეტი დასახელების კ-ს. ხ ო რ ც ი ს კ-ები შემდეგი სახისაა: ნატურალური (მოშუშული) ხორცი, კულინარულად დამუშავებული ფრინველისა და ხორცის პროდუქტები; პაშტეტი, გულიაში, ბეფსტროგანოვი, დაკონსერვებული სოსისი, ძეხვი, ძეხვის ფარში და სხვ. ხ ო რ ც-მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ი ს კ-ებია: ხორცი ბარდით, ლობიოთი, ბურღულეულით და სხვ. ხორცისა და ხორც-მცენარეულის კ-ებს აფასოებენ მხოლოდ მცირე ზომის (ძირითადად 0,3—0,5 ლ) ტარაში. რ ძ ი ს კ-ებია შესაქელებული რძის პროდუქტები. თ ე ვ ზ ი ს ა გ ა ნ ამზადებენ ნატურალურ კ-ს, შემწვარს, დაშაშხულს. ამ სახის თევზის კ-ს უკეთებენ სტერილიზაციას. ამზადებენ აგრეთვე ქარსალისა და ქაშაყისაგან ისეთ კ-ებს (პრესერვებს), რ-თათვისაც სტერილიზაცია არ არის საჭირო. პრესერვები უნდა შეინახოს 5°C ტემპ-რაზე. ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი ს კ-ები შემდეგი სახისაა: ნატურალური (სტაფილო, ჭარხალი, ყვავილოვანი კომბოსტო და სხვ.); წვენები — (სტაფილოსი, პამიდვრის, ჭარხლის); კონცენტრირებული ტომატ-პროდუქტები (პასტა, პიურე, საწებელი), სასაუზმო (ზეთში შემწვარი ბადრიჯანი, ყაბახი, სტაფილო, ხახვი და სხვ.), დაძმარებული და დამწნილებული ბოსტნეული (პასტერიზებული ან სტერილიზებული); დიეტური. ხ ი ლ ი ს ა გ ა ნ ამზადებენ ნატურალურ ან ახალი ხილის და კენკრის კომპოტს შაქრით, აგრეთვე სტერილიზებულ წვენს (გამჭვირვალესა და რბილობიანს), პიურეს, მურაბას, ჯემს, ჟელეს, სიროფს. კ-ებს განეკუთვნება აგრეთვე გაყინული ხილი, კენკრა, ბოსტნეული. კ-ის გამოყენება შეიძლება ბავშვებისათვისაც (ძირითადად პიურესმაგვარის).

ლითონის ტარისა და მისი შიგთავსის კონტაქტის შედეგად კ-ში (განსაკუთრებით მაღალმჟავიანში) მიმდინარეობს არასასურველი ქიმ. პროცესი — კოროზია. ეს რომ თავიდან აიცილონ, ლითონის ტარას ამზადებენ საკვები ლაქით დაფარული თუნუქისაგან, ალუმინისა და მისი შენადნობებისაგან. იმის გამო, რომ კ-ებს თერმულად ამუშავებენ, რის გამოც მათში არ არის მიკროფლორა ან შეზღუდულია მისი ცხოველმყოფელობა, მათი შენახვა შეიძლება საწყობებში რამდენიმე წლის განმავლობაში (ჰაერის ტემპ-რა უნდა იყოს 0-იდან 20°C-მდე, ფარდობითი ტენიანობა—75%-მდე). კ-ის წუნის ძირითადი სახეებია: 1. ბომბაჟი (ქილის ხუფისა და ძირის ამობურცვა), რ-იც ორი სახისაა: ბიოლოგიური, მიკროორგანიზმებით გამოწვეული და ქიმ. პროდუქტის გაულაქავ ლითონთან შეხებით გამოწვეული. 2. ქილების დეფორმაცია, დაჟანგვა.

კ-ის უვარგისიანობის დასადგენად ატარებენ ვ ე ტ ე რ ი ნ ა რ უ ლ-ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ექსპერტიზას. ამავე ხერხით ამოწმებენ საკონსერვო წარმოებაში გადასამუშ. ახ. ხორცს, შიგნეულს, ცხოველურ ცხიმს. სტერილიზაციის წინ ქილის შიგთავსს აკონტროლებენ მიკრობიოლოგიურად, მზა კ-ებს კი ფიზ.-ქიმ. და მიკრობიოლ. მაჩვენებლების დასადგენად ამოწმებენ ორგანოლეპტიკურად და ლაბორატორიულად.

ლიტ.: ბ უ ი ღ ლ ი შ ვ ი ლ ი ა. კ ი ლ ა ძ ე კ. ხილკენკროვანთა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, თბ., 1965; Б а р б а я н о в К. А., Л е м а р и н ь е К. П., Производство рыбных консервов, 2 изд., М., 1967; Г у с а к о в с к и й З. П., О ч к и н В. А., Технология мясных консервов, М., 1964; Ф а н-Ю н г А. Ф., Ф л а у м е н б а у м Б. Л., И з о т о в А. К., Технология консервирования плодов и овощей, 3 изд., М., 1969.

კონსეფსიონი (Concepción), ქალაქი ცენტრალურ პარაგვაიში, კონსეფსიონის დეპარტ. ადმ. ცენტრი. 52,8 ათ. მცხ. (1970). ნავსადგური მდ. პარაგვაის ნაპირზე. საფქვავი, საფეიქრო, ტყავის, ხე-ტყის სახერხი წარმოება. ვაჭრობენ მეცხოველეობის პროდუქტებით, ჩაით, თამბაქოთი, ხეტყით.



კონსოლური სისტემა. მრავალმალიანი კონსოლურ-კოჭური სისტემა.

კონსეფსიონი (Concepción), ქალაქი ჩილეში, კონსეფსიონის პროვ. ადმ. ცენტრი. 169,6 ათ. მცხ. (1975). ნავსადგური მდ. ბიო-ბიოს ესტუარის მარჯვ. ნაპირზე სარკინიგზო კვანძი. საფეიქრო (შალის, ბამბის), კვების (საფქვავი, შაქრის, საკონსერვო და სხვ.) მრეწველობა. უნ-ტი (1919). კ. დაარსდა 1550 წ. 1960 ძლიერ დაანგრია მიწისძვრამ. კ-ის რ-ში იღებენ ქვანახშირს, არის მეტალ. ქ-ნა.

კონსიანსი (Conscience) ჰენდრიკ (3. XII. 1812. ანტვერპენი,—10. IX. 1883, ბრიუსელი), ბელგიელი მწერალი. მონაწილეობდა ფლამანდ. ენისა და კულტ. აღორძინების მოძრაობაში. წერა დაიწყო ფრანგ. ენაზე, მაგრამ ფლანდრიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გავლენით დაუბრუნდა ფლამანდურს. შეუერთდა ფლანდრიელ რომანტიკოსთა ანტვერპენის ჯგუფს. 1838 გამოაქვეყნა ისტ. რომანი „ფლანდრიის ლომი". კ-ის რომანების უმეტესობა დაფუძნებულია ისტ. ქრონიკებზე და დოკუმენტებზე. მათგან მნიშვნელოვანია „სასწაულთა წელიწადს" (1837), „იაკობ ვან არტეველდე" (1849), „გლეხთა ომი" (1853), „ფლანდრიელი ჭაბუკები" (1870) და სხვ. 1850-იდან მის შემოქმედებაში მომძლავრდა რეალისტური ტენდენციები (რომანი „სისკა ვან როზემაალი", 1844; მოთხრობების კრებ. „ბებია", 1853 და სხვ.).

კონსიგნაცია (ლათ. consignatio — წერილობითი დადასტურება, დოკუმენტი), კომისიის ხელშეკრულების სახეობა, რ-ითაც კომისიონერი საქონლის მფლობელის დავალებით თავისი საწყობიდან (ე. წ. კონსიგნაციური საწყობი) ყიდის საქონელს. კ. მეტად გავრცელებულია საგარეო ვაჭრობაში.

კონსიდერანი (Considérant) ვიქტორ (12. X. 1808, სალენი, — 27. XII. 1893, პარიზი), ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი. შ. *ფურიეს* მიმდევარი. 1843 დააარსა გაზ. „La Démocratie pacifique". 1848 რევოლუციის დროს აირჩიეს ჯერ დამფუძნებელი, ხოლო შემდეგ საკანონმდებლო კრების წევრად. ემხრობოდა ლ. *ბლანის* პროექტებს. 1849 ემიგრაციაში იყო ბელგიაში. დაუსწრებლად მიუსაჯეს გადასახლება. 1871 აპრ. სოლიდარობა გამოუცხადა პარიზის კომუნას. თავის შრომებში კ. ცდილობდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესების შესწავლას. ქადაგებდა „კლასთა შერიგების" (მწარმოებელთა ასოციაციების შექმნის მეშვეობით) უტოპიურ იდეას.

კონსილიუმი (ლათ. consilium — თათბირი, მსჯელობა), ერთი ან სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა ბჭობა ავადმყოფის დიაგნოზის დასაზუსტებლად და მკურნალობის მეთოდების შესარჩევად.

კონსისტენციი (გვიანდ. ლათ. consistentia — მდგომარეობა), ბლანტი სითხის, ბლანტპლასტიკური ან ბლანტელასტიკური სხეულის რეოლოგიურ თვისებათა ერთობლიობა. კ., მნიშვნელობით მასთან ახლო მდგომი სხვა რეოლოგიური არსისაგან (მაგ., სიბლანტე, დენადობა, პლასტიკურობა) განსხვავებით, ყოველთვის არ გამოხატავს მკვეთრ ფიზ. არსს. როგორც ტექნოლ. ტერმინი, „კ." აღნიშნავს სითხისებრი („ნახევრად თხევად") და მყარის მსგავსი („ნახევრად მყარი") პროდუქტებისა და მასალის ძერადობას. საერთოდ მას მიმართავენ დეფორმაციის ცვლადი მახასიათებლების მქონე სისტემების აღწერისას. ხანდახან კ-ს განსაზღვრავენ თვისებრივად, სისტემას ადარებენ ცნობილ პროდუქტებს: „თაფლის კ.", „კარაქის კ." და სხვ. ხშირად იყენებენ სპეც. ხელსაწყოებს — *კონსისტომეტრებს* და კ-ს გამოხატავენ პირობითი ერთეულებით ან სიბლანტისა და სიმტკიცის მაჩვენებლებით.

კონსისტომეტრი, *კონსისტენციის* გასაზომი ხელსაწყო; იყენებენ საკვები პროდუქტებისა და ნახევარფაბრიკატების საკონდიტრო. საკონსერვო, ხორცის, პურისა



სტ. ქორთ ბ. „თიკაი დატვირთული ურემი". დაახლ. 1865–
70. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.



სტ. *კრამსკოი ი.* „ქრისტე უდაბნოში". 1872. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

სტ. *კუინჯი ა.* „არყის ხეები". 1879. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

და სხვათა წარმოებაში ხარისხის დასადგენად. კ-ს აგრეთვე იყენებენ ბიტუმოვანი მასის სსისქის, ფისების ხარისხის, ცემენტის წარმოებაში ლამის დენადობისა და სხვ. საკონტროლოდ. პროდუქტს ათავსებენ ღია ჭურჭელში ნემსის ქვეშ. გაზომვა მიმდინარეობს 1 მუდმივი ან ცვლადი დატვირთვისას. პირველ შემთხვევაში ადგენენ ობიექტში განსაზღვრულ სიღრმეზე ნემსის ჩაფლობის დროს ან ჩაფლობის სიღრმეს განსაზღვრული დროის განმავლობაში. მეორე შემთხვევაში ზომავენ ტვირთის მასას, რ-ის წნევის 1 გავლენითაც ნემსი ეფლობა ობიექტში 1 მოცემულ სიღრმეზე განსაზღვრული დროის 1 განმავლობაში.

კონსოლი (ფრანგ. console), კონსტრუქცია (1(მაგ., კოჭი ან წამწე), რ-ის ერთი ბოლო 1 ხისტადაა ჩამაგრებული, მეორე კი თავისუფალია, ან საყრდენის გარეთ გამოშვერილი კონსტრუქციის ნაწილი. კ-ს მაშინ 1 იყენებენ, როცა დამატ. საყრდენების მოწყობება შეუძლებელია ან მიზანშეწონილი არ 1 არის (მაგ., *აივნის, კარნიზისა* და მისთ. 1 მზიდი კონსტრუქციები). კ-ის სახესხვაობაა *კრონშტაინი*. კ-ს გაიანგარიშებენ მისი 1 გამოშვერილი ნაწილის წონასწორობის 1 პირობების გათვალისწინებით.

კონსოლიდაცია (ლათ. consolidatio < con(cum) — ერთად და solido — ვამჭიდროვებ, გასანეამტკიცებ), რამის განმტკიცებაგამაგრება. ცალკეულ პირთა, დაჯგუფებათა, ორგანიზაციათა გაერთიანება და დარაზმვა 1 საერთო მიზნებისათვის ბრძოლის გასაძლიერებელად.

კონსონანსური სისტემა სამშენებლო მექანიკაში, სისტემა (სამშენებლო 1 კონსტრუქცია), რ-ის მთავარი მზიდი ელემენტია *კონსოლი*; იყენებენ უმთავრესად კონსოლური ან კონსოლურ-სახსროვანი კოჭების, კონსოლურ-კოჭური წამწეებისა და სხვ. სახით. ხიდთმშენებლობაში გავრცელებულია კონსოლურ-თაღოვანი 1 სისტემები. ყველაზე ეფექტურია მრავალმალიანი კონსოლურ-კოჭური სისტემები 1 (ნახ.), რ-თა კონსტრუქცია შედარებით 1 მცირე წონისაა და ნაკლებმგრძნობიარე 1 საყრდენების არათანაბარი დაჯდომისა დ. ტემპ-რული ზემოქმედების მიმართ. 1 ასეთი სისტემებით აგებენ დიდმალიან კ. 1 კოჭურ ხიდებს [მაგ., კვებეკის ხიდი კანადაში (მალი 549 *მ*), ფორთის ხიდი შოტლანდიაში (მალი 528 *მ*) და სხვ.].

კონსონანსი (ფრანგ. consonance < ლათ. consonantia — ჰარმონია, თანაყლერა), კეთილხმოვანება, ბგერათა შეთანხმება, შერწყმა ერთდროული ყლერის დროს. საპირისპირო მოვლენაა *დისონანსი*. კ. რბილი, 1, წყნარი ყლერადობაა, რ-იც სასიამოვნოდ მოქმედებს ნერვულ ცენტრებზე. მას მიეკუთვნება პრიმა, ოქტავა, კვინტა, კვარტა, 1, დიდი და მცირე ტერციები, სექსტები, 1 აგრეთვე ამ ინტერვალებით შედგენილი 1 აკორდები. აკუსტიკური თვალსაზრისით განსხვავება კ-სა და დისონანსს შორის 1 მხოლოდ რაოდენობრივია, ხოლო მათ შოშორის ზღვარი — პირობითი. მაჟორულ-მინორული სისტემის ჩარჩოებში განსხვავებება ხარისხობრივია, იგი დაპირისპირებულულობამდე, კონტრასტამდე აღწევს და განიხილება როგორც დამოუკიდებელი ესთეტ. ჯ. 1 ღირებულება.

ლიტ.: Гарбузов Н. А., О консонирующих и диссонирующих интервалах, «Музыкальное образование», 1930, № 4—5.

კონსონანტი, იხ. *თანხმოვანი*.

კონსონანტური დამწერლობა (< ლათ. consonarnams, ნათ. ბრ. consonantis — თანხმოვანი 1 ბგერა), დამწერლობის სისტემა, რ-ის ნიშნები (გრაფემები) გამოყენებულია მხოლოდ თანხმოვანი ფონემების აღსანიშნავად. არსებობს მოსაზრება, რომ კ. დ. ჩან ჩამოყალიბდა სილაბური (მარცვლოვანი) დ. დამწერლობის გაპარტიების შედეგად (მაგ., მიუთითებენ, რომ ფინიკიური კ. დ. მომდინარეობს ქ. ბიბლოსის სილაბური დამწერლობიდან). კ. დ-ის ფინიკიურ სისტემაში აღინიშნებოდა 22 თანხმოვანი. მკაცრად იყო დადგენილი ასოთა სახელწოდება და საანბანო რიგი (რაც ძირითადად დღემდეა დაცული ფინიკიურიდან მომდინარე დამწერლობათა სისტემებში). კ. დ-ის სოლისებრი ვარიანტი იყო უგარითული დამწერლობა. წმინდა სახის კ. დ. არის თანამედროვე ტუარეგული დამწერლობა (ე. წ. ტიფინაკი). ნარევი ხასიათისაა არაბ., ებრ., სირიული და სხვ. დამწერლობები (ანბანშიეე წარმოდგენილია საგანგებო ნიშანი ზოგიერთი ხმოვნისათვის, შემოღებულია დიაკრიტიკული ნიშნები ე. წ. მოკლე ხმოვნების აღსანიშნავად და სხვ.).

ლიტ.: Дирингер Д., Алфавит, пер. с англ., М., 1963.

კონსორციუმი (ლათ. consortium — თანამონაწილეობა), კაპიტალისტური ბანკების ან სამრეწველო კომპანიების დროებითი შეთანხმება, რაიმე ხელსაყრელი ოპერაციის ან მსხვილი მასშტაბის პროექტის განხორციელებისათვის მონოპოლურად მაღალი მოგების მისაღებად; საბანკო და სამრეწვ. კაპიტალის შერწყმის ერთ-ერთი ფორმაა.

კონსტან დე რებეკი (Constant de Rebecque) ბენჟამენ ანრი (25. X. 1767, ლოზანა, — 8. XII. 1830, პარიზი), ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. წარმომშობით შვეიცარიელი. იყო *დირექტორიის* მომხრე; 1799—1802 — საკანონმდებლო ტრიბუნალის წევრი. „*ასი დღის*" პერიოდში ნაპოლეონ I-მა დაავალა კონსტიტუციის დამატების შემუშავება; 1819 დეპუტატთა პალატის წევრი გახდა, ხელი შეუწყო *ლუი ფილიპ ორლეანელის* გამეფებას. 1830-იდან სახელმწ. საბჭოს თავ-რე.

კ-მა მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ერთადერთი რომანით „ადოლფი" (1815); წიგნი მოგვითხრობს მაღალი წრიდან გამოსული ახალგაზრდა კაცის ამბავს, რ-მაც სიყვარულის ძალით ზურგი აქცია თავის წრეს და განმარტოებული ოჯახური ბედნიერება ამჯობინა.

თხზ.: Œuvres. Texte présenté et annoté par A. Roulin, P., 1957; ადოლფი, ქ. ირემაძის წინასიტყვ., თბ., 1941.

ლიტ.: ირემაძე ქ., ლიტერატურული მედალიონები, [თბ.], 1946; История французской литературы, т. 2, М., 1956; Франс А., Б. Констан — «Адольф», Собр. соч., т. 8, М., 1960.

კონსტანტა (< ლათ. constans, ნათ. ბრ. constantis — მუდმივი, უცვლელი), მუდმივი სიდიდე. მაგ., x სიდიდის მუდმივობა სიმბოლურად ჩაიწერება ასე: $x = \text{const}$. კ-ს ხშირად აღნიშნავენ C ან k ასოთი. იხ. აგრეთვე *ფიზიკური მუდმივები*.

კონსტანტა, მუდმივი სალექსო მახვილი. სილაბურ-ტონური ლექსის სტროფოსში იგი თანმიმდევრულად მეორდება, სილაბურ ლექსთწყობაში კი უმთავრესად მოდის ლექსის ბოლოს და ცეზურის წინ (მაგ., ფრანგ. 12-მარცვლიან ალექსანდრიულ ლექსში). კ. არის რიტმის ერთ-ერთი წარმომქმნელი მახვილი. მისი მეშვეობით მეტყველება ნაწევრდება მეტრულ მონაკვეთებად, რაც განაპირობებს მათ თანაბარსაზომობას (მაგ.: „არცა ლხინი ლხინად უჩანს // არცა ჭირი ზედა-ზედი" (შ. რუსთაველი).

კონსტანტანი (ლათ. constans, ნათ. ბრ. constantis — მუდმივი, უცვლელი), სპილენძ-ნიკლის შენადნობი, რ-ის ელექტრული წინაღობა ტემპ-რის ცვლილებაზე მცირედაა დამოკიდებული. სსრკ-ში გამოშვებული კ. შეიცავს 30—41% Ni-ს, 1—2% Mn-ს, დანარჩენს — Cu-ს. 20°C ტემპ-რისას კ-ის კუთრი ელექტრული წინაღობაა ≈0,48 *მკომ·მ*. სპეც. თერმული დამუშავების შემდეგ ელექტრული წინაღობის ტემპ-რული კოეფიციენტი დაახლ. უდრის $2 \cdot 10^{-6}$ 1/K-ს, დნობის ტემპ-რა კი — 1260°C-ს. კ-ს იყენებენ ელექტროტექნიკაში რეოსტატების, საზომი ხელსაწყოების ელემენტებისა და სხვათა დასამზადებლად. კ-ის ნაკლია სპილენძთან კონტაქტისას დიდი თერმოემძ. (დაახლ. 39 *მკვ/K*).

კონსტანტი (კოსტანტი) კახი (768 — 10. XI. 853), ქართველი ერისთავი. იბრძოდა არაბი სარდლის ბუღა თურქის წინააღმდეგ. 853 წ. 26 აგვ. ის და მისი ძე თარხუჯი არაბებმა შეიპყრეს და კ. კ. წამებით მოკლეს. ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში ის მოხსენიებულია კახაძის სახელით. კ. კ-ის წამება აღწერილია „*კოსტანტი კახის მარტვილობაში*".

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965.

კონსტანტინე, კონსტანტინოსი (Kōnstantinos), ბიზანტიის იმპერატორები. უფრო ცნობილი არიან: **კ. IV**, ზოგ წყაროში იხსენიება როგორც პოგონატოსი (Pogōnatos — წვეროსანი) (გ. 685 სექტ.), ბიზანტიის იმპერატორი 668-იდან. იმპერიის დედაქალაქი კვლავ კონსტანტინოპოლში გადაიტანა (მამამისის, კონსტანტ II-ის დროს, სამეფო რეზიდენცია სირაკუსაში იყო). 681 ცნო ბულგ. პირველი სამეფო. დაგმო მონოფიზიტობა, ბიზანტიაში განამტკიცა მართლმადიდებლობა. იყო პაპთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრე.

კ. V (719—775 სექტ.), იმპერატორი 741-იდან, ისავრიელთა დინასტიის წარმომადგენელი. იცავდა პროვ. არისტოკრატიის ინტერესებს. მის დროს ბიზანტია ძლიერი სამხ. სახელმწიფო იყო. კ. V-მ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა არაბებზე (746 და 752), ბულგარეთზე (763 და სხვ. ბრძოლებში). გააუმჯობესა იმპერიის ეკონ. მდგომარეობა (ხელს უწყობდა საშინაო ვაჭრობას, აამაღლა დედაქალაქის ხელოსნური წარმოების დონე პროვინციებიდან ხელოსნების გადმოსახლებით), გაზარდა გადასახადები. 754 საეკლ. კრებაზე მიაღწია ხატთაყვანისმცემელთა დაგმობას; ებრძოდა ოპოზიციურად განწყობილ ბერ-მონაზონებს, დახურა მონასტრები და მიითვისა მათი ქონება. შემწყნარებლობას იჩენდა მწვალებლური მოძრაობებისადმი.

კ. VII პორფიროგენეტი (Porphyrogénnētos) (905 მაისი, კონსტანტინოპოლი, — 9. XI. 959, იქვე), იმპერატორი 913-იდან, მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელი. 920-მდე მისი რეგენტები მართავდნენ ქვეყანას, 920—945 თვითონ მართავდა მხოლოდ ნომინალურად, დამოუკიდებელი მმართველობის დროიდან კ. VII არსებითად დედაქალაქის მსახურეული არისტოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. ეომებოდა არაბებს. ბიზანტ. ჯარებმა მდ. ევფრატამდე მიაღწიეს (958 სიმოკატე აიღეს). მისი ინიციატივითა და ზრუნვით გამოდიოდა კომპილაციური ხასიათის ენციკლოპედიური კრებულები. ავტორია რამდენიმე თხზულებისა („თემების შესახებ", „იმპერიის მმართველობის შესახებ" და სხვ.), რ-ებიც ბიზანტ. ისტორიის ძვირფასი წყაროა.

კ. XI (8. II. 1405—29. V. 1453, კონსტანტინოპოლი), ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი 1449-იდან. ცდილობდა თურქების წინააღმდეგ კავშირის ორგანიზებას, დახმარებას ეძებდა დასავლეთში. 1452 დეკ. ცნო უნია კათოლ. ეკლესიასთან. დაიღუპა თურქების მიერ კონსტანტინოპოლის ალყის დროს.

მთელ რიგ ისტ. გამოკვლევებში მას იხსენიებენ, როგორც კ. XII-ს (კ. XI-დ თვლიან კონსტანტინე ლასკარისს, რ-იც 1204 იმპერატორად გამოაცხადეს, მაგრამ ალბათ არ აკურთხეს და არც ქვეყანას მართავდა).

კონსტანტინე, კოსტანტი, ქართლის ერისთავი X ს. I ნახევარში. ქართლის ერისთავად დანიშნა მამამ, „აფხაზთა სამეფოს" (დას. საქართველოს) მეფემ *გიორგი II-მ*. ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე ქართლის მსხვილ აზნაურთა მხარდაჭერით აჯანყება მოაწყო დამოუკიდებელი სამეფოს შესაქმნელად, მაგრამ დამარცხდა. კ. შეიპყრეს და გიორგი II-ის

სტატიებიები **კრამსკოი ი.** და **კუინჯი ა.** იხ. ქსე, ეი, ტ. 6.

ბრძანებით აწამეს, რის შემდეგაც მალე გარდაიცვალა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965; А н ч а б а д з е З. В., Из истории средневековой Абхазии (VI—XVII вв.), Сух., 1959. *ვ. გუჩუა.*

კონსტანტინე I (გ. 1411), საქართველოს მეფე 1407—11, ბაგრატ V-ის ძე. 1400 თავისი ძმის, საქართვ. მეფის გიორგი VII-ის (1393—1407) დესპანი იყო თემურლენგთან და მიაღწია შეთანხმებას. 1401—02 თემურლენგთან ზავის დადების მომხრე იყო. ამ ნიადაგზე ძმებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, კონსტანტინე სამცხის ათაბაგ ივანე ჯაყელთან ერთად გიორგი VII-ს განუდგა და საჩუქრებით ეახლა თემურლენგს. ამის მიუხედავად, კონსტანტინე მტრის იარაღად არ ქცეულა და საქართვ. ინტერესებისათვის იღვწოდა. გამეფების შემდეგ ენერგიულად შეუდგა მტრის შემოსევებით გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას, მაგრამ აღარ დასცალდა. XV ს. დასაწყისში ირანის აზერბაიჯანს შავბატკნიანთა (ყარა-ყოიუნლუ) თურქმანული ტომის მეთაური ყარა იუსუფი დაეუფლა, რ-იც ცდილობდა თავისი სამფლობელოების გაფართოებას. 1411 ის შირვანში შეიჭრა. შირვანელებმა დახმარება სთხოვეს კ. I-ს, რ-იც 2000 მხედრით მოეშველა მათ. ჩალაღანთან სასტიკ ბრძოლაში კ. I ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში მამაცურად ეჭირა თავი, რის გამოც ყარა იუსუფმა მას საკუთარი ხელით მოჰკვეთა თავი.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება; წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 3, თბ., 1966.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე I, კ ო ს ტ ა ნ ტ ი I, *აფხაზთა მეფეთა დივანის (ქრონიკის)* მიხედვით, აფხაზეთის მე-8 „მეფე" (ერისთავი) VIII ს. I ნახევარში, თეოდოს I-ის ძე.

კონსტანტინე I (გ. 1327), იმერეთის მეფე 1293—1327, *დავით VI* ნარინის ძე. მეფობას ეცილებოდა უმცროსი ძმა მიქელი, რ-მაც დაიპყრო რაჭა-ლეჩხუმი და არგვეთი. ძმებს შორის ბრძოლა კ. I-ის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა. შინაური არეულობით ისარგებლეს მსხვილმა ფეოდალებმა (დადიანმა, შერვაშიძემ, გურიელმა) და ოდიში (სამეგრელო), აფხაზეთი, გურია ცენტრ. ხელისუფლებისაგან თითქმის დამოუკიდებელ სამთავროებად აქციეს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე I (დაახლ. 1566 — X. 1605), კახეთის მეფე 1605, *ალექსანდრე I-ის* ძე. ბავშვობიდან ირანში, შაჰის კარზე იზრდებოდა, სადაც გამაჰმადიანდა კიდეც. შაჰმა აბას I-მა საგამგებლოდ შირვანი უბოძა და ჯარით კახეთში დააბრუნა. მას შაჰის დავალებით შირვანი ოსმალთაგან უნდა გაეთავისუფლებინა და თვითონ დაეჭირა. კონსტანტინემ კახელებს შირვანზე გალაშქრება მოსთხოვა, მაგრამ ალექსანდრე I სპარსეთ-ოსმალეთის ომის შესაძლო შედეგს ითვალისწინებდა და ომისაგან თავს იკავებდა. ამით უკმაყოფილო კონსტანტინემ შაჰ-აბას I-ის დავალებითა და სპარსელების დახმარებით მისივე კარავში მოკლა მამა — ალექსანდრე I, ძმა — გიორგი, რამდენიმე კახი დარბაისელი და თავი მეფედ გამოაცხადა. ხალხმა იგი მეფედ არ მიიღო, აჯანყდნენ და მოკლეს (იხ. *კახეთის აჯანყება 1605*).

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგნ : ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ 2, თბ , 1959; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც , შენიშვნები რ. კიკნაძისა, თბ., 1966.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ , საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

კონსტანტინე I დ ი დ ი, კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ უ ს ფლავიუს ვალერიუს (Flavius Valerius Constantinus Magnus) (დაახლ. 285, ნაისუსი,—337, ანკირონი), რომის იმპერატორი 306-იდან, იმპ. კონსტანციუს ქლორუსის ძე. მამის სიკვდილის შემდეგ ლეგიონებმა ბრიტანეთში ყოფნისას ავგუსტუსად გამოაცხადეს, მართავდა გალიას, მის გარდა რომის იმპერიას კიდევ ჰყავდა 5 ავგუსტუსი. 313 კ. I-მა და მისმა მოკავშირე ავგუსტუს ლიციინიუსმა ქ. მედიოლანუმში (მილანი) გამოსცეს ედიქტი ქრისტიანობის უფლებამოსილ რელიგიად გამოცხადების შესახებ („მილანის ედიქტი"). 325-იდან. კ. I. რომის იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. მის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმპერიის ბიუროკრ. და აბსოლ.-მონარქისტული სისტემა. კ. I-მა გააუქმა პრეტორიანული გვარდია და დაადგინა სასახლის დაცვის კორპუსი; არმიები დაყო სასაზღვრო და შინა სამსახურის ნაწილებად. დააარსა (330) იმპერიის ახ. სატახტო ქალაქი — კონსტანტინოპოლი. კ. I-ის დროს ქალაქების მდგომარეობა გაუმჯობესდა, მონეტა სტაბილური გახდა, მოიგერიეს ბარბაროსების შემოტევები (გუთებზე გამარჯვება 332). კ. I-მა იმპერიის იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადა ქრისტიანობა. 325 ქ. ნიკეაში მოიწვია I მსოფლიო საეკლ. კრება, რ-მაც დაგმო იმდროინდელი მწვალებლური მოძრაობა (არიოზელობა) და მიიღო ერთიანი რწმენის კანონი (სარწმუნოების სიმბოლო): „იესო ქრისტე ძე ღვთისა, ერთარსება მამისა". კ. I-მა დატოვა წარმართული კულტები, მ. შ. ფლავიუსების საგვარეულო კულტიც. კ. I იყო ფრთხილი და ანგარიშიანი პოლიტიკოსი, სასტიკი და გულქვა ადამიანი. ქრისტიანობა მიიღო სიკვდილის წინ. დაკრძალეს მისგანვე აგებულ „მსოფლიო ქალაქში", წმინდა მოციქულთა ტაძარში.

ლიტ.: ს ა ნ ი კ ი ძ ე ლ., რომის იმპერია, ნაკვ. 2 (დომინატი), თბ., 1972; К о в а л е в С. И., История Рима, [Л.], 1948. *ლ. სანიკიძე.*

კონსტანტინე II ფლავიუს კლავდიუს (Flavius Claudius Constantinus) (317, არელატი, — 340, აკვილეა), რომის იმპერატორი (ავგუსტუსი) 337—340 (317-იდან კეისარი). *კონსტანტინე I* დიდის ძე. 326-იდან გალიის მმართველი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ სამ ძმას შორის იმპერიის დაყოფის შედეგად კ. II-ს გალია, ესპანეთი და ბრიტანია ერგო. უკმაყოფილო კ. II-მ ომი გამოუცხადა თავის ძმას კონსტანტს; დაიღუპა ბრძოლაში.

კონსტანტინე II (გ. 1505), ქართლის მეფე 1478—79—1505, *ალექსანდრე I* დიდის ძის დემეტრეს (დიმიტრის) ვაჟი. 1465 ბიძასთან, მეფე გიორგი VIII-თან, ერთად ტყვედ ჩაუვარდა სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II-ს. ტყვეობიდან გამოქცეული კ. II ქუთაისში გამაგრდა, მაგრამ ხელისუფლებას ვერ დაეუფლა და 1466 საქართვ. მეფედ თავი გამოაცხადა ბაგრატ *VI-მ*. ამავე დროს ტყვეობიდან განთავისუფლებული გიორგი VIII, რ-მაც ბაგრატ *VI*-თან ბრძოლა წააგო, კახეთში გადავიდა და საფუძველი დაუდო კახეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას. 1468 კ. II იძულებული გახდა ეცნო ბაგრატ VI-ის მეფობა. თუმცა თავის თავს მაინც მეფეს უწოდებდა 1466-იდან. ჩანს, ამას ქართლ-იმერეთში ბაგრატ VI-ის მეფობის დროს (1466—78) სამეფოს გარკვეულ ტერიტორიაზე ძალაუფლება ჰქონდა, ე. ი. ეს იყო *ორმეფობის* დრო. 1478, როცა ბაგრატი გარდაიცვალა, კ. II-მ სძლია ბაგრატ VI-ის ძეს ალექსანდრეს (იხ. *ალექსანდრე II*) და ქართლ-იმერეთის ტახტს დაეპატრონა. 1483 კ. II არადეთთან (იხ. *არადეთის ბრძოლა*) დაამარცხა ყვარყვარე II-მ, ამით ისარგებლა ალექსანდრე II-მ და 1484 თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა. 1487 კ. II-მ ქუთაისიდან განდევნა, მაგრამ ქართლში იაყუბ-ყაენის შემოსევის გამო (იხ. *იაყუბ-ყაენის ლაშქრობანი საქართველოში*) იძულებული გახდა დაეტოვებინა იმერეთი, რ-საც კვლავ აელექსანდრე II დაეუფლა (1489). 1490-იანი წწ. დასაწყისში კ. II-მ ცნო ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად საქართველოს დაშლის ფაქტი, თუმცა ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ერთიანი სამეფოს აღსადგენად და ოსმ.-ირანის აგრესიის წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად 1492—96 წლებს შუა მან ხუცესი ნილოსი გაგზავნა დესპანად კაიროში ეგვიპტის მამლუქ სულთან ამრაფ სეიფ ალ-დინ კაიტბეისთან, აგრეთვე რომის პაპთან და ესპ. მეფესთან. მაგრამ კ. II-ის ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; იხ. აგრეთვე ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ , ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., წვრილი შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, წგნ. 3, ტფ., 1928; ო დ ი შ ე ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), კრ.: XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 4, თბ., 1967.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე II, მაჰმადიანური სახელი მ ა ჰ მ ა დ ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი (გ. 28. XII. 1732), კახეთის მეფე 1722—32, *ერეკლე I-ის* ძე, *თეიმურაზ II-ის* ძმა. დაიბადა და აღიზარდა ისპაანში. მეფობა მიიღო ძმის, დავით II-ის (იმამყული-ხანის), გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰისაგან, რ-მაც კახეთს გარდა საგანგებოდ მისცა ერევანი, შამშადილი და ყაზახი (შემდეგში ერევნის ნაცვლად ებოძა განჯისა და ყარაბაღის გამგებლობა). 1722-იდან კ. II-ისა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შორის მტრული ურთიერთობა იყო: ორივე არბევდა და ძარცვავდა ერთმანეთის სამფლობელოებს. 1723 შაჰის მიერ ვახტანგ VI-ის გადაყენების შემდეგ ქართლი კ. II-ს ებოძა. თავდაპირველად ქართლისათვის ბრძოლაში კ. II დამარცხდა, მაგრამ ლეკების დახმარებით 1723 წ. 4 მაისს თბილისი აიღო. ვახტანგ VI, მისი ძე ბაქარი და მათი მომხრეები შიდა ქართლში გაბაგრდნენ. ამ დროს ირან-ოსმალეთის შორის ომი (1723—27) იყო და ოსმალთა ლაშქარი არზრუმის ფაშის იბრაჰიმის სარდლობით თბილისისაკენ მოიწევდა. ვახტანგ VI-მ მას დამორჩილების ნიშნად ბაქარი და იესე მიაგება. შემდეგ კ. II თვითონ მიეგება ოსმალთა სარდალს სოღანლუღში — ქართლის მეფობის შენარჩუნება სთხოვა, თბილ. ციხის გასალები ჩააბარა, ერთგულებას შეპირდა და თანაც ერევნისა და განჯის დამორჩილება აღუთქვა. 1723 წ. 12 ივნ. ოსმალები თბილისში შევიდნენ. ვახტანგ VI-მ შეძლო ფაშის მოქრთამვა, რის შედეგადაც ქართლის გამგებლობა ოსმალებმა ბაქარს მისცეს, ხოლო კ. II დაატყვევეს. მალე ბაქარის ფარული ხელშეწყობით კ. II კახეთში გაიქცა, შემდეგ ბაქარიც განუდგა ოკუპანტებს და ოსმალებმა თბილ. გამგებლობა იესეს გადასცეს. კ. II-მ და ბაქარმა მცხეთაში კავშირი შეკრეს ოსმალო ოკუპანტებთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ. კ. II-ს იმედი ჰქონდა რუსეთის დახმარებისა. ამ მიზნით პეტრე I-ს სთხოვდა ქართლ-კახეთის მიღებას რუს. მფარველობაში, მაგრამ რუსეთი ოსმალეთთან ზავის დარღვევას ერიდებოდა. ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის (1724 წ. 15 ივლ.) შემდეგ ქართლ-კახე-

თის მოსახლეობის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა კ. II. იგი არაგვის ხეობაში გამაგრდა, კავშირი დაამყარა ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ ერევნის, განჯის, შამშადილის მოსახლეობასთან, მაგრამ საქართველოსა და სამხრ. აზერბ. ძალების ერთდროული გამოსვლა ვერ მოხერხდა: მტერმა ჯერ ამ გამათავისუფლებელი მოძრაობის სამხრ. აზერბ. დაჯგუფება გაანადგურა, შემდეგ კი, 1724 სექტ., კ. II და მისი მომხრეები — ატენის ხეობაში, გუფთასთან, და საარწიეედ წოდებულ ქედთან მომხდარ ბრძოლაში. კ. II ჯერ შანშე ქსნის ერისთავს შეეხიზნა, შემდეგ კი მთელი წელი ფშავში გაატარა, რადგან თითქმის მთელ კახეთში ლეკები დათარეშობდნენ. 1725 კახეთის მოსახლეობამ ლეკები განდევნა და მიიწვია ფშავში გახიზნული კ. II, რ-იც თელავს ჩავიდა. ის შეეცადა ლეკების გამოყენებას ოსმალების წინააღმდეგ, მოურიგდა კიდეც მათ იმ პირობით, რომ კახეთით გზას მისცემდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის საძარცვავად. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ კ. II იძულებული გახდა დაზავებოდა ოსმალებს: კახეთმა ოსმალეთისათვის ხარკის მიცემა იკისრა, მაგრამ არც ერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში (1730—32) წარმატებას მიაღწია ნადირმა (შემდეგში ნადირ-შაჰი), ამიერკავკასიაში განმათ. მოძრაობის ახ. ტალღამ იფეთქა. კ. II ოსმალეთისათვის მთლად მიუღებელი აღმოჩნდა. კახეთში ლაშქრით მოსულმა ახალციხის ფაშამ უსუფმა (თბილ. ფაშის ისაყის შვილმა) კ. II ზავზე მოსალაპარაკებლად ბეჟანბაღს (კახეთში) მიიწვია, სადაც ის ვერაგულად მოკლა ისაყ ფაშას მსახურმა მაჰმადბეგმა (ვახუშტის მიხედვით ეს მოხდა 1729).

წყარო. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, ც. აბულაძის გამოც., თბ., 1975; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973, ჩხეიძე ს., ცხოვრება მეფეთა, იქვე, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854; ტლაშაძე ი., ბაქარიანი, თბ., 1962.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მის წგნ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ 2, თბ., 1965; პაიჭაძე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1960; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე II, კოსტანტი II, *აფხაზთა მეფეთა დივანის (ქრონიკის)* მიხედვით, აფხაზეთის მე-10 „მეფე" (ერისთავი) VIII ს. I ნახევარში, თეოდორეს ძე.

კონსტანტინე III, კოსტანტი III, „აფხაზთა სამეფოს" (დას. საქართველოს) მეფე დაახლ. 893—922, ბაგრატ I-ის ძე. იბრძოდა სამეფო-სამთავროებს შორის პეგემონობის მოპოვებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. 904 დაეუფლა ქართლს. მის წინააღმდეგ გაილაშქრეს სომეხთა მეფემ სმბატ I-მა და ქართველთა მეფემ ადარნასე II-მ. მათ ალყა შემოარტყეს უფლისციხეს და აიღეს. საზავო მოლაპარაკების დროს კ. III შეიპყრეს. სმბატმა ის ანისის ციხეში დაამწყვდია, მაგრამ 4 თვის შემდეგ, იმის შიშით, რომ „აფხაზთა სამეფოს" ტახტზე უფრო ძლიერ პიროვნებას დასვამდნენ, გაათავისუფლა. სმბატ I არაბებთან ურთიერთობის გამწვავების გამო დათმობაზე წავიდა, კ. III-მ კვლავ მიიღო ქართლი. დას. საქართველოსა და სომხ. მეფის ეს კავშირი კ. III-ის სმბატის ასულზე დაქორწინებით განმტკიცდა. *აბუ ლ-კასიმის* მიერ სმბატ I-ის მოკვლისა (914) და სომხ. აოხრების შემდეგ კ. III-მ ჯერ ქართლში განიმტკიცა ხელისუფლება, შემდეგ მან და კახეთის ქორეპისკოპოსმა (მთავარი) კვირიე I-მა ჰერეთი დაიპყრეს და გაანაწილეს. ამ დროიდან X ს. უკანასკნელ მეოთხედამდე საქართვ. სამეფო-სამთავროთა შორის პეგემონობა „აფხაზთა მეფის" ხელში იყო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786—925), ვ. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს), თბ., 1963; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგნ. 2, თბ., 1965; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI — XVII вв.), Сух., 1959.

ვ. გუჩუა.

კონსტანტინე ბატონიშვილი (გ. დაახლ. 1587/28), იმერთა მეფის ბაგრატ III-ის ძე, გიორგი II-ის უმცროსი ძმა. გიორგი II-ის მეფობის პერიოდში (1565—85) კ. ბ-ს საუფლისწულო ადგილ-მამული არ ჰქონდა და მისი მიღებისათვის იბრძოდა. 1583 მეფემ ციხეში გამოკეტა. გიორგი II-ის გარდაცვალების შემდეგ (1585) კ. ბ-მა ისარგებლა ლევან მეფის ახალგაზრდობით და დაიპყრო მდ. რიონის აღმ-ით მდებარე ტერიტორია. მის ხელში გადავიდა სკანდა, კაცხი და არგვეთი. 1587 მეფე ლევანმა წაართვა კ. ბ-ს ეს ადგილები ციხესიმაგრეებითურთ, მაგრამ თვითონაც იძულებული გახდა დაეთმო და მიეცა საუფლისწულო მამული არგვეთში (ზემო იმერეთი).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ო. სოსელია.

კონსტანტინე ბატონიშვილი (VII. 1789 — 3. V. 1844, მოსკოვი), იმერეთის მეფის დავით II-ის ძე, გენერალ-მაიორი, 3 წლის კ. ბ. მამამ ერთგულების საწინდრად სოლომონ II-ს მისცა. დავით II-ის მიერ ტახტის დაბრუნების ცდის გამო 1792 სოლომონმა უფლისწული მუხურის ციხეში ჩაკეტა. 1803 რუს. მთავრობის მოთხოვნით სოლომონ II-მ გაათავისუფლა კ. ბ. და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ცნო. შემდეგში სოლომონმა შეძლო ახალგაზრდა უფლისწულის შემორიგება. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ კ. ბ. პეტერბურგს გაემგზავრა და კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკში ჩაირიცხა როტმისტრად. მონაწილეობდა 1812 სამამულო ომში. დაჯილდოვეს ვლადიმერის ორდენით. მისი შვილები (დავითი, გიორგი, კონსტანტინე, ნიკოლოზი, ალექსანდრე) რუსეთში „იმერეტინსკეებად" ან „ბაგრატიდ-იმერეტინსკეებად" იწოდებოდნენ.

ლიტ.: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; კაკაბაძე ს., კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული, წგნ. 4, ტფ., 1929.

ო. სოსელია.

კონსტანტინე ბანასე (გ. 1187), ბიზანტიელი მწერალი. ეკუთვნის 6733 ტაეპიანი 15-მარცვლოვანი ლექსით გაწყობილი ქრონიკა, რ-იც ბიზანტ. მკითხველთა შორის პოპულარული იყო. ჯერ კიდევ 1337 იგი რუს. ენაზე ითარგმნა. 15-მარცვლოვანი ლექსითვე გამართული კ. მ-ს რომანი „არისტანდრეს და კალითეას სიყვარულის" 9 წიგნი მოღწეულია ფრაგმენტების სახით. კ. მ. არის მრავალრიცხოვანი საზეიმო და სამგლოვიარო სიტყვის ავტორი. გარდაცვალების წინ ნავპაქტოსის მიტროპოლიტის თანამდებობა ეკავა.

ლიტ.: ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, გამოც. მე-2, ტ. 3, თბ., 1973.

„კონსტანტინეს საჩუქარი", პაპების თეოკრატიულ მისწრაფებათა დასასაბუთებლად პაპის კანცელარიაში შედგენილი (ალბათ VIII ს. შუაწლებში) ყალბი სიგელი. სიგელის თანახმად, ვითომ IV ს-ში რომის იმპ. კონსტანტინემ (აქედან სახელწოდება „კ. ს.") პაპ სილვესტრ I-ს უბოძა უმაღლესი ხელისუფლება რომის იმპერიის დას. ნაწილზე, მ. შ. იტალიაზე. „კ. ს-ის" სიყალბე დაამტკიცა იტალ. ჰუმანისტმა ლ. *ვალამ* XV ს-ში.

კონსტანტინი, ქალაქი ჩრდ.-აღმ. ალჟირში, სიდიდით ქვეყნის მესამე ქალაქი, კონსტანტინის ვილაიის ადმ. ცენტრი. 335,1 ათ. მცხ. (1977). ქალაქი ცნობილია უძველესი დროიდან. ძვ. წ. III ს. დასასრ.— ძვ. წ. I ს. შუა წლებამდე ნუმიდიის სამეფოს დედაქალაქი იყო, ეწოდებოდა ცირტა (კირტა). რომაელების მიერ ნუმიდიის დაპყრობის (ძვ. წ. 46) შემდეგ — რომის პროვ. ახალი აფრიკის (მოგვიანებით — ნუმიდია) ადმ. ცენტრი. „კ." დაერქვა ახ. წ. 313 რომის იმპ. კონსტანტინე დიდის (განაგებდა 306—337) პატივსაცემად. V ს-ში დაიპყრეს ვანდალებმა, VI ს-ში — ბიზანტიელებმა, VII ს-ში — არაბებმა. XVI ს. — XVIII ს. დასაწყისში იყო ოსმალთა გამაგებლობაში. 1837—1962 შედიოდა საფრ. კოლონია ალჟირის შემადგენლობაში. ალჟირის დამოუკიდებლობის მოპოვების (1962) შემდეგ იმავე სახელწოდების დეპარტამენტის (1969-იდან ვილაიის) ადმ. ცენტრია.

კ. სარკინიგზო და საავტ. გზების მნიშვნელოვანი კვანძი და დიდი საავჭრო-სამრეწვ. ცენტრია (მარცელეულისა და სხვა სას.-სამ. პროდუქციის ტრად. ბაზარი). ქალაქში არის კვების, საფეიქრო და ლითონდასამუშ. საწარმოები, ტრაქტორთ-საშენი კომპლექსი. მოსახლ. დიდი ნაწილი დასაქმებულია შინამრეწველურ-ხელოსნურ წარმოებაში. არის დიდი წისქვილები. ჰესი. აეროპორტი.

ქალაქის ისტ. ბირთვი მდებარეობს დიდ კლდეზე, რ-იც მდ. რიუმელს გადაპყურებს. იყოფა ორ ნაწილად: ძვ. არაბულ ნაწილში მცირესართულიანი სახლებით განაშენიანებული მიხვეულ-მოხვეული ქუჩებია, ახალ მოდერნიზებულ ნაწილში კი მრავალსართულიანი სახლები. ქალაქის ეს ნაწილი ალ-კანტარისა (1792, 1863 და XX ს. შუა წლები) და სიდი მსიდის ხიდებით უკავშირდება ახლად განაშენიანებულ კვარტალებს. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემორჩენილია რომაულ შენობათა ნაშთები, ოსმალების დროინდელი კასბა (ციტადელი), მეჩეთი (სუკ ალ-ლაზალი, 1730, გადაკეთებულია ტაძრად), ჰაჯი-აჰმადის სასახლე (1826—35) და სხვ.

კონსტანტინოვი ალეკო ივანიცოვ (1. I. 1863, სვიშტოვი, — 11. V. 1897), ბულგარელი მწერალი. დაამთავრა ოდესის უნტის იურიდ. ფაკტი (1881—85). 1892-იდან ადვოკატი იყო. კ-ის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებები იუმორისტული ნარკვევები და ფელეტონებია. აშშ-ში მოგზაურობის შემდეგ გამოაქვეყნა „ჩიკაგომდე და უკან" (1893), რ-შიც გამოაშკარავა ბურჟ. ყალბი დემოკრატია. კ-ის მოთხრობების კრებ. „ბაი განიუ" (ცალკე წიგნად — 1895) ბულგ. საზ-ბის სატირულ სურათს ხატავს. კ-ს ეკუთვნის აგრეთვე აქტუალურ პოლიტ. თემებზე დაწერილი და გახმაურებული ფელეტონები, მოთხრ. „მოულოდნელი ქორწინება" (1888). დაუმთავრებელი დარჩა პიესა „თავისუფალ ნიადაგზე". მწერალი მმართველი წრეების დაქირავებულმა აგენტმა მოკლა.

კონსტანტინოვი ბორის პავლეს ძე [23. VI (6. VII). 1910, პეტერბურგი, — 9. VII. 1969, ლენინგრადი], საბჭ. ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1967-იდან). სოციალ. შრომის გმირი (1954). სკკპ წევრი 1959-იდან. სწავლობდა ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტში (1926—29). 1927—35 და 1940-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ფიზიკა-ტექ. ინ-ტში (1957—67 დირექტორი), 1937—40 — მუს. მრეწვ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. ლენინგრ. პოლიტექ. ინ-ტის პროფესორი (1947-იდან). ძირითადი შრომები აქვს თეორ. და გამოყენებითს აკუსტიკაში. ბირთვულ ფიზიკაში, პლაზმის ფიზიკაში, ასტროფიზიკაში და სხვ. რსფსრ VI—VII მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სსრკ საბელმწ. პრემია (1953), ლენინური პრემია (1958).

ბ. კონსტანტინოვი.

კონსტანტინოპოლი. წმ. სერგისა და ბახუსის ეკლესია. 526—527. კაპიტელი და არქიტრავი.

კონსტანტინოპოლი. გაბრიელ მთავარანგელოზი. წმ. სოფიოს ტაძრის მოზაიკის ფრაგმენტი. IX ს. II ნახევარი.

ჯ. კონსტანტელი.

დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Борис Павлович Константинов, «Успехи физических наук», 1970, т. 100, в. 1 (ახლავს კ-ის შრომების ბიბლიოგრ.).

კონსტანტინოვი მიხეილ პანტელეიმონის ძე (დ. 27. IX. 1924, მოსკოვი), საბჭ. არქიტექტორი. სწავლობდა მოსკ. არქიტ. ინ-ში (1944—50) ბ. მეზენცევთან. ნამუშევრები: საცხოვრ. სახლები ოსიპენკოს ქუჩაზე (1952—54) და ვერნადსკის პროსპექტზე (1965), მეტროპოლიტენის სადგ. „კრასნოპრესნენსკაიას" მოსაცდელი დარბაზი (1953, თანააავტორი) — ყველა მოსკოვში; სამდინარო ვაგზალი ყაზანში (1956—59, არქიტ. ი. გაინუტდინოვთან ერთად), ლენინის მემორიალი ულიანოვსკში (1970, ბ. მეზენცევთან, გ. ისაკოვიჩთან და სხვ. ერთად; ლენინური პრემია, 1972).

კონსტანტინოვკა, ქალაქი (1932-იდან) უკრ. სსრ დონეცკის ოლქში, მდ. კრივოიტორეცის (დონის აუზი) ნაპირზე. საავტ. და სარკინიგზო გზების კვანძი. 112 ათ. მკხ. (1979). კ. დონბასის დიდი სამრეწვ. ცენტრია. ქალაქის ეკონომიკაში წამყვანია მეტალ. და მინის მრეწველობა. მეტალ., ქიმ., ფერადი მეტალ., მინის, მალალვოლტიანი აპარატურის და სხვა ქ-ნები, ექსტრაქტული ტყავის კომბინატი. ცეცხლგამძლე მასალების წარმოება. უკრ. დაუსწრებელი პოლიტექ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკტი, ინდუსტრ. და სას.-სამ. ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. დაარსდა 1870.

კონსტანტინოპოლი (Konstantinoupolis — კონსტანტინეს ქალაქი), რომის იმპერიის (330-იდან), შემდეგ ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი. დაარსა *ბიზანტიონის* ადგილზე რომის იმპ. კონსტანტინე I-მა. კ-ის ოფიც. კურთხევა დედაქალაქად მოხდა 330 წ. 11 მაისს. დედაქალაქის რომიდან კ-ში გადატანა განპირობებული იყო მისი სიახლოვით აღმ. პროვინციებთან, რ-თაც იმ დროს წამყვანი როლი ენიჭებოდათ რომის იმპერიაში სამხ.-სტრატეგიულ და სავაჭრო თვალსაზრისით. კ. ბოსფორის სრუტის ევრ. ნაპირზე იყო გაშენებული. სამხრ-ით მას მარმარილოს ზღვა ესაზღვრებოდა, აღმ-ით — ბოსფორის სრუტე, ჩრდ-ით—ოქროს რქის ყურე. კონსტანტინე I-მა კ-ში მრავალი ანტ. ქანდაკება გადაიტანა. ქალაქის ცენტრს წარმოადგენდა ავგუსტეონის მოედანი, სადაც განლაგებული იყო კ-ის უბრწყინვალესი ძეგლები: წმ. სოფიოს ტაძარი, წმ. ირინეს ეკლესია, დიდი სასახლე და იპოდრომი. ავგუსტეონიდან დას-კენ მიემართებოდა მთავარი ქუჩა—მესა, შემკული მრავალი არქიტ. ძეგლით, თაღებითა და ქანდაკებებით. ამასტრიანულ მოედანზე მესა იყოფოდა, ერთი შტო მიემართებოდა ოქროს კარიბჭისკენ (სამხ.-დას-ით), მეორე — ხარისიის კარიბჭისაკენ (ჩრდ.-დას.). მესაზე და მოედნებზე განლაგებული იყო სავაჭრო რიგები და ბაზრები. ქალაქის ზრდის პროცესში აქ შენდებოდა ახ. საზ. შენობები, ეკლესიები, სასახლეები. ქალაქს წყლით ამარაგებდა იმპ. ვალენტის მიერ აგებული წყალსადენი, რ-იც VIII ს-ში შეკეთდა. კ-ის ნავსადგურები ძირითადად ოქროს რქის ნაპირას იყო განლაგებული. დას. ნაწილში იყო ღარიბთა უბნები, ბალ-ვენახები. ქალაქს სურსათით ამარაგებდა მიმდებარე მამულები, მაგრამ ძირითადი პროდუქტი მაინც შორიდან მოჰქონდათ (კერძოდ, ხორბალი — ეგვიპტიდან). კ. ყოველთვის იყო ბიზანტ. იმპერიის უდიდესი სავაჭრო-ეკონ. და კულტ. ცენტრი. არაერთხელ გამხდარა სახ. აჯანყებების კერა (აჯანყება „ნიკა", 532). იმ დროსაც კი, როცა ბიზანტ. იმპერიაში VII ს. ბოლოდან დაიწყო ეკონ. დაქვეითება, კ. რჩებოდა მსოფლიოს უდიდეს სახელოსნო-სავაჭრო ცენტრად. XI ს. 80-იან წლებამდე იმპერიაში ძალაუფლება დედაქალაქის მსახურეულ დიდკაცობას ეკუთვნოდა და კ. პოლიტიკურადაც ბატონობდა სახელმწიფოში. ხელისუფლების სათავეში კომნენოსების მოქცევამ შეაფერხა კ-ის განვითარება, დაიწყო მისი დაქვეითება და იქ უცხოელ ვაჭართა (იტალიელთა) გაბატონება. კ-მა არაერთხელ განიცადა გარეშე მტრების (ავარების, სლავების, არაბების, პაჭანიკების, თურქების) თავდასხმა, მაგრამ მისი აღება ვერავინ შეძლო. 1204 წ. IV ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა კ. აიღეს და იგი ლათ. იმპერიის სატახტო ქალაქად გადააქციეს. 1261 ბიზანტიელებმა დაიბრუნეს კ., მაგრამ სახელმწიფოს საერთო დაქვეითებამ, კ-ში ვენეციელ და გენუელ ვაჭართა გაბატონებამ საბოლოოდ დასცა მისი ეკონომიკა. 1453 წ. 29 მაისს ქალაქი თურქ-ოსმალებმა აიღეს, ოსმ. იმპერიის დედაქალაქად აქციეს და სტამბოლი უწოდეს, ოსმალეთის დედაქალაქი იყო 1923-მდე.

ლიტ.: История Византии, т. 1—3, М., 1967; Janin R., Constantinople byzantine, 2 éd., P., 1964.

კონსტანტინოპოლის მაგალითის აკადემია, უმაღლესი განათლების კერა, რ-იც 1045 კონსტანტინოპოლში დააარსა კონსტანტინე მონომაქოსმა, აკადემიის აღორძინებას წარმოადგენდა; ჰქონდა ფილოს. და იურიდ. ფაკ-ტი. ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, თეოლოგიას, რიტორიკას, დიალექტიკას, ფიზიკას და მეტაფიზიკას, საერო და საღვთისმეტყველო ისტორიას. კ. მ. ა. სასწავლებლად იზიდავდა იმჟამინდელი მოწინავე მსოფლიოს ახალგაზრდობას, მ. შ. ქართველებსაც. აქ აღიზარდნენ *იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი* და სხვ. კ. მ. ა-მ არსებობა შეწყვიტა თურქთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ.

ს. გამსახურდია.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, ერთ-ერთი მართლმადიდებელი ეკლესია. შეიქმნა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის — კონსტანტინოპოლის ეპარქიის ბაბაზაზე, რამაც განაპირობა მისი ეპისკოპოსის (451-იდან პატრიარქი) წამყვანი მდგომარეობა მართლმადიდებელი ეკლესიის როგორც ეკლესიის დოგმატიკურ და საკულტო, ისე საეკლ.-ორგანიზაციულ ურთიერთობაში. ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის (1453) და ბიზანტ. იმპერიის დაცემის შემდეგ კ. ს-ს ჩამოსცილდა მთელი რიგი ეკლესიები, რ-ებიც ავტოკეფალური გახდნენ. ოსმალებმა კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიანიჭეს სრული დამოუკიდებლობა საეკლ. საქმეებში და სამოქალაქო უფლება მართლმადიდებელ მოსახლეობაზე სახელმწიფოს ფარგლებში. 1922 კონსტანტინოპოლის ეკლესიის შემადგენლობაში შეიქმნა 4 ეპარქია აშშ-ში, დას. ევროპაში დაინიშნა ეგზარქოსი ფიატირის მიტროპოლიტის ტიტულით. 1924 შეიქმნა 2 ეპარქია ავსტრალიაში. კონსტანტინოპოლის იურისდიქციას ექვემდებარება ფინეთის ავტონომიური მართლმადიდებლური ეკლესია. კონსტანტინოპოლის პატრიარქი იწოდება „კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსად და მსოფლიო პატრიარქად", კათედრა სტამბოლშია.

კონსტანცა (Constanţa), ქალაქი და ნავსადგური რუმინეთში, შავი ზღვის სანაპიროზე. კონსტანცის ჟუდეცის ადმ. ცენტრი. 257 ათ. მკხ. (1977). სატრანსპ. კვანძი. აეროპორტი. ნავსადგურიდან გაქვთ ნავთობპროდუქტები, ცემენტი, მარცვლეული, ხე-ტყე, შეაქვთ მანქანები, სხვადასხვა მოწყობილობა, აპატიტი. არის დიდი ელევატორები, ნავთობსაცავები, საწყობები. საზღვ. თევზჭერის ბაზა. განვითარებულია კვებისა და მანქანათსაშ., აგრეთვე შალის, სამკერვალო, ავეჯის, საშენ მასალათა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა. არის თეატ.

ძვ. წ. VI ს-ში კ-ის ადგილზე იონიელმა ბერძნებმა დააარსეს პოლისი ტომისი, რ-იც ძვ. წ. 29 დაიპყრეს რომაელებმა. 8—17 წლებში აქ ცხოვრობდა *ოვიდიუსი.* იმპ. კონსტანტინე დიდმა ტომისს კონსტანტინიანა (Constantiniana) უწოდა. 1413—1878 კ. (ქიუსთენჯეს სახელით) ეკუთვნოდა ოსმალეთს, 1878-დან რუმინ. შემადგენლობაშია.

ქალაქში შემორჩენილია ელინისტური და რომაული ნაგებობების ნაშთები, V—VI სს. ბიზანტ. ბაზილიკები, XVIII—XIX სს. თურქული მეჩეთი და სხვ. კ-ში არის თეატრი, არქეოლ. და სამხატვრო მუზეუმები.

კ. რუმინეთის შავიზღვისპირა კურორტების ცენტრია.

კონსტანცა (Constanţa), ჟუდეცი სამხრ.-აღმ. რუმინეთში, დობრუჯის პლატოს სამხრ. ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. ფართ. 7,1 ათ. *კმ*². მოსახლ. 554,4 ათ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. კონსტანცა. საშენ მასალათა, კვების, მანქანათსაშ., საფეიქრო, ქიმ., ხის დასამუშ. მრეწველობა. მოჰყავთ ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, ზეთოვანი სელი. განვითარებულია მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, სანავსადგურო მეურნეობა და საზღვ. თევზჭერა. შავი ზღვის სანაპირო საერთაშ. მნიშვნელობის საკურორტო რ-ნია.

კონსტანცის საეკლესიო კრება, კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო საეკლესიო კრება 1414—18 კონსტანცში (გერმანია). მოიწვია პაპმა იოანე XXIII-მ „დიდი განხეთქილების" სალიკვიდაციოდ და ეკლესიის რეფორმისათვის იმპ. სიგიზმუნდ I-ისა და სამღვდელოების ზედაფენების მოთხოვნით. სამღვდელოებასთან ერთად მასში მონაწილეობდნენ საერო ფეოდალებიც, მ. შ. იმპ. სიგიზმუნდი. კრებამ ბოლო მოუღო განხეთქილებას, გადააყენა პაპის ტახტის მოცილე სამივე პაპი (გრიგოლ XII, იოანე XXIII, ბენედიქტე XIII), პაპად აირჩია *მარტინ V.* გამოცხადდა საეკლ. კრების რეგულარულად მოწვევის აუცილებლობა, პაპებზე მსოფლიო საეკლ. კრების ზემდგომობის პრინციპი (ეს გადაწვეტილებები ცხოვრებაში არ გატარებულა). კ. ს. კ-მ დაგმო ჯ. *უიკლიფისა* და ი. *ჰუსის* მოძღვრება. ი. ჰუსი, იმპ. სიგიზმუნდის დაცვის სიგელის მიუხედავად, 1415 წ. 6 ივლ. კონსტანცში კოცონზე დაწვეს. ერთი წლის შემდეგ იგივე ბედი ეწია იმავე კრების მიერ ბრალდადებულ ჰუსის მიმდევარ *იერონიმ პრაღელს.*

კონსტანციუსი (Constantius), ძველ რომში: **კ. I,** ქლორუს ფლავიუს ვალერიუს (Flavius Valerius Constantius, Chlorus; მეტსახელი ქლორუსი — ფერმკრთალი) (264, ილირია,—306, ბრიტანია), რომის იმპერატორი 305—306. *კონსტანტინე I* დიდის მამა. დაწინაურდა დიოკლეტიანეს დროს როგორც მხედართმთავარი. 293-იდან — იმპერიის დას. ნაწილის კეისარი, 305 (დიოკლეტიანეს მიერ ტახტზე უარის თქმის შემდეგ) — ავგუსტუსი. მოაწყო ლაშქრობები გერმანელების წინააღმდეგ. 297 დაიმორჩილა განდგომილი ბრიტანია.

კ. II ფლავიუს იულიუს (Flavius Iulius Constantius) (317, სირმიუმი, — 361, კილიკია), რომის იმპერატორი 337—361 (324-იდან — კეისარი, 337-იდან — ავგუსტუსი). კონსტანტინე I დიდის შვილებს შორის იმპერიის დაყოფის შემდეგ (337) წილად ხვდა აზია და ეგვიპტე, მოგვიანებით — ბალკ. ნ.-კ-იც (339). ძმების დაღუპვის (კონსტანტინე II — 340, კონსტანტი— 350) და უზურპატორის დამარცხების (352) შემდეგ აღადგინა იმპერიის მთლიანობა და 353-იდან ერთპიროვნულად მართავდა მას. ცდილობდა კონსტანტინოპოლის ამაღლებას რომზე. მისი სასახლის კარი გამოირჩეოდა ბრწყინვალეებით, გაძლიერდა ბიუროკრატია. შეიქმნა ჯაშუშების ფართო ქსელი. იმპერატორი მხარს

უჭერდა არიანელობას. გააუქმა წარმართული ტაძრები, აკრძალა მსხვერპლშეწირვა. გარდაიცვალა საპარსელების წინააღმდეგ ლაშქრობის დროს.

კ. III ფლავიუსი (Flavius Constantius) (გ. 421), რომაელი მხედართმთავარი იმპ. ჰონორიუსის დროს. 421-იდან იმპ. ჰონორიუსის თანამმართველი ავგუსტუსის ტიტულით.

ლიტ. Stein E., Histoire du Bas-Empire, t. 1. P., 1959.

კონსტებლი (Constable) ჯონ (11. VI. 1776, ისტ-ბერგჰოლტი, საფოკი, — 31. III. 1837, ლონდონი), ინგლისელი ფერმწერი. 1800—05 ლონდონის სამხატვრო აკადემიაში ესწრებოდა მეცადინეობებს (1829-იდან სამხატვრო აკად. წევრი). კ-მა უარყო ბუნების იდეალიზაცია და გამოსახავდა სოფლის ჩვეულებრივ ლანდშაფტებს, ხატავდა ჰაერისა და სინათლის მთრთოლვარებით აღსავსე გარემოს. კ-ის ნაწარმოებები გამსჭვალულია ბუნების ჰარმონიული ერთიანობის გრძნობით, დიდებულებით („თივის ოთხთვალა", 1821; „სოლზბერის ტაძრის ხედი მდინარიდან" — ორივე ლონდონის ეროვნ. გალერეა; „დედჰემის ველი", 1828, ედინბურგი, ეროვნ. გალერეა)

თავის პეიზაჟებს კ. ქმნიდა მრავალრიცხოვანი პლენერული ეტიუდებიდან, ზოგ მათგანს კი — უშუალოდ ნატურიდან (პირველად პეიზაჟის ისტორიაში). კ-ის ნაწარმოებებს ახასიათებს კომპოზიციის ბუნებრიობა, ფერების სიწმინდე და სიფაქიზე, ტონების სიმდიდრე და დინამ. მონასმები. განსაკუთრებული სიყვარულით ქმნიდა კ. ღრუბლების ეტიუდებს. კ-ის ხელოვნებამ ხელი შეუწყო XIX ს. ფერწერის რეალისტური ტენდენციების ჩამოყალიბებას.

ლიტ. Лесли Ч.-Р., Жизнь Джона Констебля, эквайра, [пер. с англ.], М., 1964.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 593.

კონსტიტუცია (ლათ. constitutio — დამყარება, დაწესება, წყობილება, აგებულება), სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რ-საც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, ასახავს ქვეყნის საზ და სახელმწ. წესწყობილებას, სახელმწ. ორგანოთა სისტემას და კომპეტენციას, მოქალაქეთა უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო სისტემას და ა. შ. ფორმის მიხედვით არსებობს დაწერილი და დაუწერელი კ. პირველი დაწერილი კ. მიიღეს აშშ-ში 1787 წ. 17 სექტემბერს. დაუწერელი კ. მოქმედებს ამჟამად დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიაში. ტიპის მიხედვით არსებობს ბურჟ. და სოციალ. კ-ები. ბურჟ. ქვეყნებში კ-ის მიღების უფლება ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას, სახელმწიფოს მეთაურს და სხვ.; სოციალ. სახელმწიფოებში (სსრკ, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი) კ-ის მიღების უფლება აქვთ სახელმწ. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. გდრ-სა და ბულგარეთში კ-ს რეფერენდუმის წესით იღებენ.

საბჭ. კ. სამი სახისაა — სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკების და ასსრ-ებისა. პირველი საბჭ. კ. დაამტკიცა რსფსრ საბჭოების V ყრილობამ 1918 წ. 10 ივლისს. კ-მ საკანონმდებლო წესით განამტკიცა პროლეტარიატის დიქტატურა და მისი სახელმწიფოებრივი ფორმა — მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები. იგი ითვალისწინებს საბჭ. რესპუბლიკის წყობილების ფედერაციულ ფორმას, მშრომელთა ძირითად პოლიტ. და სოც. უფლებებს, მათი განხორციელების რეალურ გარანტიებსა და სხვ. რსფსრ-ის 1918 კ-ის პრინციპები საფუძვლად დაედო მოკავშირე და ავტონ. რესპუბლიკების მომდევნო კ-ებს, აგრეთვე სსრკ პირველ — 1924 კ-ს; სსრკ-ში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტი განამტკიცა 1936 კ-მ. მისი მოქმედების პერიოდში აშენდა განვითარებული სოციალ. საზბა, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწ. გარდაიქმნა საერთო-სახ. სახელმწიფოდ. ამ ეტაპზე 1977 წ. 7 ოქტ. მიღებულ იქნა სსრკ-ის ახ. კ. და მის შესაბამისად 1978 წ. აპრილში—მოკავშირე რესპუბლიკების კ-ები. ახ. კ-ები მიიღეს ავტონ. რესპუბლიკებმაც (1978 წ. მაის-ივნისში). იხ. აგრეთვე *საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია.* *გ. ერემოვი.*

კონსტიტუცია ადამიანისა, იხ. *ადამიანის კონსტიტუცია.*

კონსტიტუცია სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა, ცხოველის მორფოლოგიური, ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების ერთობლიობა. მისი გამოხატულებაა ცხოველის გარეგანი ფორმა ანუ ექსტერიერი. კ. ს.-ს. ც. ყალიბდება მემკვიდრეობისა და გარემო პირობების ზეგავლენით, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდეულის გამოზრდას, კვებას და შენახვას.

არსებობს კონსტ. ტიპის მრავალი კლასიფიკაცია, რ-თაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შვეიცარიელი მეცნიერის უ. დიურსტისა და საბჭ. მეცნიერის პ. კულეშოვის (დააზუსტეს ე. ბოგდანოვმა და მ. ივანოვმა) კლასიფიკაციები. ზოოტექნიკოსებიდან პ. კულეშოვი პირველი მეცნიერია, რ-მაც კ. ს.-ს. ც. წარმოგვიდგინა როგორც სხვეულის აგებულებისა და მისი ცხოველმოქმედების პროდუქტიულობის ხასიათთან ორგანულად დაკავშირებული მთლიანობა. მან გამოყო 4 ძირითადი კონსტ. ტიპი: ნაზი, უხეში, მკვრივი და ფაშარი, ვინაიდან ეს ტიპები, როგორც წესი, წმინდა სახით არ არსებობს, ამიტომ განასხვავებენ შერეულ კონსტ. ტიპებს: ნაზი, მკვრივი, ნაზი ფაშარი, უხეში მკვრივი, უხეში ფაშარი. ე. ბოგდანოვმა ამ კლასიფიკაციას დაუმატა მშრალი და ნედლი კონსტიტუციის ცნებები. მ. ივანოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მაგარი კონსტიტუციის ცხოველებს მათი მტკიცე ჯანმრთელობისა და მაღალი პროდუქტიულობის გამო.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, „სახალხო თავისუფლების" ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტია რუსეთში, შეიქმნა 1905. 1917-იდან რუს. კონტრრევ. ბურჟუაზიის ძირითადი პარტია. იხ. *კადეტები.*

კონსტიტუციური ზედამხედველობა, საზღვარგარეთის ქვეყნებში — კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება. კ. ზ-ის ობიექტი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი კანონი, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, საერთაშ. ხელშეკრულებანი; იმ ქვეყანაში კი, სადაც *ადმინისტრაციული იუსტიცია* არ არსებობს, — მმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტებიც. კ. ზ. ხორციელდება სხვადასხვა გზით: საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოების მეშვეობით (აშშ, იაპონია და სხვ.); უმაღლესი სასამართლოს მიერ (კანადა, შვეიცარია), სპეც. კონსტ. სასამართლოსა (იტალია, გფრ) და არასასამართლო ხასიათის განსაკუთრებული ორგანოს საშუალებით (კონსტ. საბჭო საფრანგეთში).

სოციალ. ქვეყნებში კ. ზ-ს ახორციელებს უპირველეს ყოვლისა სახელმწ. ორგანოები, რ-თაგან თითოეული თვალყურს ადევნებს კონსტიტუციის დაცვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

კონსტიტუციური მონარქია, იხ. სტ. *მონარქია.*

კონსტიტუციური სამართალი, სამართლის ერთ-ერთი დარგის — *სახელმწიფო სამართლის* სახელწოდება, რ-იც გვხვდება იურიდიულ და პოლიტ. ლიტ-რაში.

კონსტიტუციური სასამართლო, საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რ-საც ევალება *კონსტიტუციური ზედამხედველობის* გაწევა. ამასთან ერთად კ. ს-ს შეუძლია კონსტიტუციის განმარტება, სახელმწიფოს ცალკეულ ორგანოთა კომპეტენციის სისწორის შემოწმება, მოქმედი კანონის ბათილად გამოცხადება და ა. შ. კ. ს-ს ან პარლამენტი ირჩევს (ფედერალურ კ. ს-ს გფრ-ში), ან სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს (ავსტრია, კვიპროსი). იტალიაში კ. ს-ს შემადგენლობას ნიშნავს პრეზიდენტი, პარლამენტი და მაგისტრატურა.

კ. ს. არსებობს 2 სოციალ. სახელმწიფოში — ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში.

კონსტრუქტივიზმი, მიმართულება 1920-იანი წწ. საბჭ. ხელოვნებასა (არქიტექტურაში, გაფორმებით და თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში, პლაკატსა და წიგნის ხელოვნებაში, მხატვრულ კონსტრუირებაში) და ლიტერატურაში. კონსტრუქტივისტების პირველი ორგანიზაცია (ა. განი, ა. როდჩენკო, ძმები ვ. და გ. სტენბერგები და სხვ.) აღმოცენდა 1921 „ინხუკში" (სამხატვრო კულტურის ინტში). კ-ის მიმდევრები მიზნად ისახავდნენ გარემოს „კონსტრუირებას", ცდილობდნენ ამოეცნოთ ახ. ტექ. შესაძლებლობანი ფორმათა შექმნის თვალსაზრისით, აგრეთვე ლითონის, ხის, მინისა და სხვ. მასალათა ესთეტ. თვისებები. არქიტექტურაში კ-ის თეორ. პრინციპები ჩამოაყალიბეს ა. ვესნინმა და მ. გინზბურგმა, ხოლო პრაქტიკულად პირველი პროექტი ძმებმა ა. და ვ. ვესნინებმა შეადგინეს (კულტურის სახლი, 1923, მოსკოვი). 1925 შეიქმნა კონსტრუქტივისტების შემოქმედებითი ორგანიზაცია, რ-ის ბეჭდვითი ორგანო იყო ჟურნ. „სოვრემენნაია არხიტეკტურა" (1926—30). სხვა საბჭ. არქიტექტორებთან ერთად კონსტრუქტივისტები (ძმები ვესნინები, მ. გინზბურგი, ი. ლეონიდოვი, ა. ნიკოლსკი, მ. ბარშჩი და სხვ.) ეძებდნენ პროექტირების ახ. გზებსა და პრინციპებს, მაგრამ ამავე დროს დაუშვეს შეცდომები — ბინა გამოაცხადეს „წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის" მატერ. ფორმად, უარყოფდნენ დიდი ქალაქების როლსა და სხვ.

კ-ის ესთეტიკამ გარკვეული წვლილი შეიტანა საბჭ. მხატვრული კონსტრუირების შექმნაში (ახ. ტიპის ჭურჭელი, ავეჯი, ქსოვილთა მოხატულობა, გამოფენების გაფორმება და სხვ.). კ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გრაფიკის განვითარებაში (პლაკატი, წიგნი, თეატრი, დეკორ. ხელოვნება).

უცხოეთის პლასტ. ხელოვნებაში ტერმ. „კ." პირობითია: არქიტექტურაში აღნიშნავს *ფუნქციონალიზმის* ერთ-ერთ მიმდინარეობას, ფერწერასა და ქანდაკებაში — ავანგარდისტული მიმართულების ერთ-ერთ სახეს.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 560—561.

კონსტრუქციების რხევები, იხ. *ნაგებობათა დინამიკა.*

კონსტრუქციული ლოგიკა, მიმართულება სიმბოლურ ლოგიკაში; აღმოცენდა ინტუიციონისტური ლოგიკის საფუძველზე, ოღონდ მასში არ არის გაზიარებული ინტუიციონისტური თვალსაზრისი ინტუიციის შესახებ; გარდა ამისა, კ. ლ-ში შეწყნარებულია ე. წ. კონსტრუქციული შერჩევის პრინციპი, რ-იც ორმაგი უარყოფის კანონის შესუსტებული ვარიანტია. კ. ლ-ის თვალსაჩინო წარმომადგენელია საბჭ. მათემატიკოსი ა. *მარკოვი.*

ლ. მჭედლიშვილი.

კონსტრუქციული ობიექტები, კონსტრუქციული მიმართულების ამოსავალი ცნება მათემატიკასა და ლოგიკაში. კ. ო. არის რაიმე ფიგურა, რ-იც შედგენილია გარკვეული წესების მიხედვით უმარტივესი ფიგურებისაგან — ელემენტარული კ. ო. გან. ამის საილუსტრაციოდ მიუთითებენ საბაშვო სათამაშო „კონსტრუქტორზე". კონსტრუქციულ მათ. თეორიებში განიხი-



კონსტრუქტივიზმი. ნახატის ესკიზი ქსოვილის მოსაჩითავად. ვ. სტეპანოვა, (გუაში, 1924, ვ. როდჩენკოს კოლექცია, მოსკოვი).



კონტაქტორი, ერთპოლუსიანი ელექტრომაგნიტური კონტაქტორის სქემა: 1,2—კონტაქტები; 3—ლუსა; 4—გულარი; 5—ელექტრომაგნიტის გრაგნილი; 6—რკალსაქრობი მოწყობილობა; *1*—ელექტრული დენი.



კონტაქტური ელექტროშედუღების სქემები: ა—პირაპირა; ბ—წერტილოვანი; გ—ნაკერიანი; 1—შესაფუღებელი ნაკეთობა; 2—ელექტროდები; 3—ტრანსფორმატორი; P—მიჭერის ძალა.

ლება გარკვეული ტიპის სტანდ. ჰ. ო. და მათგან რთული ობიექტების აგების სტანდ. წესები. ეს შესაძლებლობას იძლევა დახასიათდეს ჰ. ო. საზოგადოდ. ჰ. ო-ის ერთ-ერთი უმარტივესი ტიპია ფიქსირებული ანბანის ასოებისაგან შედგენილი სიტყვები. აქ ელემენტარული ჰ. ო-ია ასოები, ხოლო მათგან რთული ობიექტების შედგენის წესია ასოების ერთმანეთის გვერდზე მიწერა. ნატურალური რიცხვები შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთასოიანი ანბანის სიტყვები. ჰ. ო-ის განხილვისას იყენებენ პოტენციური განხორციელების აბსტრაქციას. *ლ. მჭედლიშვილი.*

კონსული (ლათ. consul), 1. ძვ. რომში ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა (მაგისტრატურა). ჰ. იყო ორი. ირჩევდნენ ერთი წლის ვადით ცენტურიატულ კომიციაზე. ტრადიციის მიხედვით, 2 ჰ-ის კოლეგია დაარსდა მეფე ტარკვინიუს ამაყის გაძევების შემდეგ ძვ. წ. 510—509. თავდაპირველად, ჰ-ებს პატრიციებიდან ირჩევდნენ, ხოლო ძვ. წ. 367—366-იდან — პლებეებიდანაც. ჰ. აღჭურვილი იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხ. ძალაუფლებით. აგროვებდა ჯარს (თითოეული — 2 ლეგიონს) და წინამძღოლობდა მას, იწვევდა სენატს და კომიციებს, ნიშნავდა დიქტატორებს, ატარებდა *აუსპიციუმებს.* 367—366-იდან სამოქალაქო სამართლის საქმეებს განაგებდნენ ჰ-ის უმცროსი კოლეგები — პრეტორები. ჰ-თა შორის აზრთა სხვადასხვაობისას მიმართავდნენ კენჭისყრას. საგანგებო მდგომარეობის დროს სენატი ჰ-ს განუსაზღვრელ რწმუნებულებას ანიჭებდა. ჰ-ის თანაშემწეები კვესტორები იყვნენ. ჰ. ატარებდა ტოგას, რ-საც ფართო მეწამული არშია ჰქონდა და 12 ლიქტორი ახლდა. იმპერიის დროს ჰ-მა დაკარგა რეალური ძალაუფლება, ეს თანამდებობა საპატიო ტიტულად დარჩა; ჰ-თა რიცხვი იმპერატორთა ნება-სურვილით იზრდებოდა. 2. თანამდებობის პირი, რ-იც სხვა სახელმწიფოს რომელიმე რაიონში (საკონსულო ოლქში) დანიშნულია შუამეჯ წარმომადგენლად განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად. სახელდობრ, ჰ-ის კომპეტენციაში შედის თავისი ქვეყნის, აგრეთვე იურიდ. პირებისა და მოქალაქეების ეკონ. და სამართ. ინტერესების დაცვა, დოკუმენტების შემოწმება, ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა შესრულებისათვის თვალყურის დევნება, ადმ. და ნოტარიული ხასიათის მოქმედებათა შესრულება და სხვ. საკონსულოთა მეთაურები იყოფიან 4 კლასად იმ საკონსულოთა კლასის მიხედვით, რ-თაც ისინი მეთაურობენ: გენ. ჰ., ჰ., ვიცე-ჰ. და საკონსულო აგენტი. სახელმწიფო, რ-იც ნიშნავს ჰ-ს, აძლევს მას საკონსულო პატენტს. პატენტი ადასტურებს ჰ-ის უფლებამოსილებას; მასში აღნიშნულია ჰ-ის ვინაობა და კლასი, საკონსულო ოლქი და საკონსულოს ადგილსამყოფელი. ჰ. თავისი მოვალეობის შესასრულებლად დაიშვება მხოლოდ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ეგზეკვატურის (ნებართვის) შემდეგ. ჰ-ის სამართ. მდგომარეობა მოწესრიგებულია ეროვნ. კანონმდებლობით (სსრკ-ში 1926 საკონსულო წესდება და 1966 დებულება სსრკ-ის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს დიპლ. და საკონსულო წარმომადგენლობათა შესახებ), საკონსულო კონვენციებით (კერძოდ, ვენის 1963 კონვენცია) და სხვ. შეთანხმებებით. იხ. *საკონსულო სამართალი.*

ლიტ.: Блищенко И. П., Дурденевский В. Н., Дипломатическое и консульское право, М., 1962.

კონსულობა, საფრანგეთის ისტორიის პერიოდი. ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალებიდან [1799 წ. 9 ნოემბ. (18 ბრიუმერი მე-8 წლისა)] მის იმპერატორად გამოცხადებამდე (1804 წ. 18 მაისი). ნომინალურად ხელისუფლება ეკუთვნოდა 10 წლით არჩეულ 3 კონსულს, ფაქტობრივად კი — პირველ კონსულს — ნაპოლეონ ბონაპარტს. მე-2 და მე-3 კონსულები იყვნენ ჯერ ე. ჟ. სიეიესი და პ. რ. დიუკო, ხოლო მე-8 წლის კონსტიტუციის თანახმად — ჟ. კამბასერესი და შ. ლებრუნი. 1802 აგვ. ბონაპარტი და ორივე კონსული გამოაცხადეს საფრ. რესპ. მუდმივ კონსულებად.

კონსულტაცია (ლათ. consultatio — ვითათბირობ, ვიხილავ, ვზრუნავ), 1. სპეციალისტის რჩევა-დარიგება რაიმე საკითხში; სასწავლო კონსულტაცია, სწავლების ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა, რ-იც ფართოდ გამოიყენება უმაღლეს და საშ. სასწავლებლებში. 2. სპეციალისტების თათბირი რაიმე საკითხზე. 3. დაწესებულება, რ-იც მოსახლეობას დახმარებას უწევს სპეციალისტების რჩევით ამა თუ იმ პრაქტ. საკითხზე (მაგ., იურიდ. ჰ., სამედ. ჰ.).

კონტაგიოზური პუსტულოზური დერმატიტი, ექთიმა, კონტაგიოზური სტომატიტი, ცხვრისა და თხის ვირუსული დაავადება (რეგისტრირებულია ადამიანს დაავადების შემთხვევაც). დაავადებული ცხოველებისათვის დამახასიათებელია ვეზიკულის, ბუშტუკის და ფუფუნის წარმოქმნა უმთავრესად ტუჩების მიდამოებში, იშვიათად სხეულის სხვა ნაწილებზე. დაავადება აღინიშნება წელიწადის ყოველ დროს (საქართველოში უმეტესად გვხვდება გაზაფხულზე). ინფექციის წყაროა დაავადებული ან დაავადებამოხდილი ცხოველი. *გ. ბედენაშვილი.*

კონტამინაცია, 1. ტექსტოლოგიაში — ერთი ნაწარმოების ორი ან მეტი რედაქციის ტექსტების შერწყმა-შეერთება, როცა წყაროები არ იძლევა დამაკმაყოფილებელ რედაქციას. სხვადასხვა ტექსტის ჰ-ს ზოგჯერ მიმართავენ აგრეთვე რეჟისორის ჩანაფიქრის შესაბამისად დრამ. ნაწარმოების სცენაზე წარმოდგენისას. ამ უკანასკნელის მაგალითია რუსთაველის სახელმწ. თეატრის მიერ დადგმული „ყვარყვარე" (1974), რ-შიც შეერთებულია პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" და ბ. ბრეხტის „არტურო უის კარიერა". 2. ენათმეცნიერებაში — შინაარსით მსგავსი სიტყვების ურთიერთმოქმედება, რის შედეგადაც ვიღებთ მსგავსი შინაარსის მესამე სიტყვას, რ-იც პირველი ორის ნიშნებით ხასიათდება. მაგ., სიტყვა „ჰაერი" მიღებულია „ჰავა" და „აერი" სიტყვათა შეერთებით.

კონტარინი (Contarini) ამბროჯო (დ. წ. უცნობია — გ. 1499, ვენეცია), ვენეციელი დიპლომატი და მოგზაური. 1474 თებ. დიპლ. მისიით გაგზავნეს *უზუნ-ჰასანთან.* თავრიზს მიმავალი ჰ. იმავე წლის 29 ივნ. ჩავიდა ბათუმში, შემდეგ გაიარა ფოთი, ქუთაისი, სკანდე, გორიდან გადაუხვია სამხრ-კენ და 4 აგვ. მივიდა თავრიზში; 1475 წ. 28 ივნ. ჰ. კვლავ „ფასისის გზით" დაბრუნდა და თბილისზე გავლით მივიდა ფოთში, საიდანაც სხვადასხვა მიზეზების გამო ისევ თბილისისაკენ მობრუნდა. 1477 წ. 10 აპრ. დაბრუნდა ვენეციაში.

ჰ-მ თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილება აღწერა დღიურებში, რ-ებიც 1487 გამოაქვეყნა. ეს თხზულება ბარბაროს „მოგზაურობასთან" ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან ნარატიული ხასიათის წყაროს XV ს. 70-იანი წლების საქართვ. ეკონ. და პოლიტ. მდგომარეობის შესასწავლად.

ლიტ.: Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935. *ტ. ყიფიანი.*

კონტაქტი (ლათ. contactus — შეხება), 1. რაიმეს შეხების ზედაპირი. 2. კავშირი, ურთიერთმოქმედება, ურთიერთშეთანხმება, თანამშრომლობა; პირთა, ჯგუფთა, ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა ურთიერთობა.

კონტაქტი, ზმნის კატეგორია, რ-იც გვიჩვენებს სუბიექტური პირი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ (უახლოეს) ობიექტზე თუ სხვა პირის მეშვეობით. ამის მიხედვით გარჩეულია უშუალო ჰ. და შუალობითი ჰ. ქართ. ენაში უშუალო ჰ-ის ფორმების საგანგებო ნიშნები არ მოეპოვება (ვწერ, ვაშენებ, ვხატავ). შუალობითი ჰ-ის ფორმანტებია ა-პრეფიქსი და -ინ-, -ევ-, -ევინ- სუფიქსები (ვ-ა-წერ-ინ-ებ, ვ-ა-ცმ-ევ, ვ-ა-კვლ-ევინ-ებ). შუალობით ჰ-ს ეწოდება აგრეთვე შუალობითი გზა, *კაუზატივი,* ფაქტიტივი.

კონტაქტი ელექტრული, ელექტრული წრედის შემადგენელი ნაწილების ურთიერთშეხების ელექტროგამტარი ზედაპირი ან ისეთი სამარჯვი, რ-იც ამ ურთიერთშეხებას (შეერთებას) უზრუნველყოფს. ჰ. შეიძლება შედგენილი იყოს დენის გამტარებისაგან (მექან. ჰ.) ან დენის გამტარისა და ნახევრად გამტარისაგან, ან ორი ნახევრად გამტარისაგან. ჰ-ის დასამზადებელ მასალას (სუფთა ლითონები — პლატინა, ვერცხლი, ვოლფრამი, სპილენძი და სხვ.; შენადნობები — პლატინა-ირიდიუმი, პალადიუმ-სპილენძი, ოქრონიკელი და მისთ.; ლითონური კომპოზიციები — ვერცხლ-კადმიუმის ჟანგი, ვერცხლ-გრაფიტი და ა. შ.) შეარჩევენ მისი დანიშნულებისა და გამოყენების პირობების გათვალისწინებით.

მექან. ჰ. ორგვარია, უძრავი და მოძრავი. პირველს მაშინ იყენებენ, როცა შეერთება ხანგრძლივი დროითაა გათვალისწინებული, მეორეს კი იმ შემთხვევაში, თუ იგი განსაზღვრული დროითაა საჭირო. მოძრავი ჰ. სხვადასხვა სახისაა; საწყვეტი (იყენებენ ღილაკებში, გადამრთველებში, რელეებში და სხვ.), სრიალა (მაგ., კოლექტორისა და მუსების შეერთება ელექტრულ გენერატორში) და მგორავი (საკონტაქტო სადენებისა და ტროლეიბუსის დენის ამრთმევი გორგოლაჭების შეერთება და ა. შ.).

მექან. ჰ-ს ფართოდ იყენებენ კავშირგაბმ. აპარატურაში (რადიო, ტელეფონი, ტელეგრაფი), ელექტროენერგეტ. მოწყობილობაში, პრეციზიულ ხელსაწყოებში და ა. შ.

ლითონ-ნახევრად გამტარის, აგრეთვე ორი ნახევრად გამტარისაგან შემდგარი ჰ-ის შესახებ იხ. სტ. *ნახევრადგამტარიანი ელექტრონიკა.*

კონტაქტორი ელექტრომაგნიტური, ელექტრული აპარატი, რ-ის დანიშნულებაა ელექტრული ძალური წრედების ხშირი ჩართვა-ამორთვა (1500-მდე გადართვა საათში); ფართოდ იყენებენ ელექტრული მანქანებისა და აპარატების დისტანციური მართვისათვის. აგრეთვე 1 კა-მდე დენის ძალის კომუტაციისათვის. განასხვავებენ მუდმივი და ცვლადი დენის ჰ-ებს. ძალურ წრედებში ჩასართავი კონტაქტების წყვილთა რიცხვის მიხედვით ჰ. ან ერთპოლუსიანია, ან მრავალპოლუსიანი. ამზადებენ როგორც ავტონომიურ, ისე *მაგნიტურ ამამუშავებელში,* მუშა მანქანებსა და დანადგარებში ჩამონტაჟებულ ჰ-ებს.

კონტაქტური ელექტროშედუღება, ლითონთა შედუღების მეთოდი, რ-იც ითვალისწინებს დეტალების გახურებას კონტაქტის ადგილზე გამავალი დენით და მათ ერთმანეთზე მიჭერას. გახურების მეთოდის მიხედვით ასხვავებენ წინაღობის და შემოლღობის მეთოდით ჰ. შ-ს. შენადუღი შეერთების მიხედვით ჰ. შ. არის პირაპირა, წერტილოვანი (ყველაზე ვავრცელებული), რელიეფური (წერტილოვანის ნაირსახეობა) და ნაკერიანი (გორგოლაჭიანი). ჰ. შ-ს იყენებენ რელსების, მილების, წნევის ქვეშ მომუშავე ავზების, ჭურჭლისა და სხვა ნაკეთობათა შესადუღებლად. პირაპირა ჰ. შ-ით ისეთი ელემენტების შეერთება შეიძლება, რ-თა კვეთის ფართობი 10 *მმ*^{2}-იდან 10000 *მმ*^{2}-მდე აღწევს.

კონტაქტურ პოტენციალთა სხვაობა, პოტენციალთა სხვაობა ორ სხვადასხვა ლითონს, ორ ნახევრად გამტარს ან ლითონსა და ნახევრად გამტარს შორის; წარ-

მოიქმნება მათი უშუალო შეხების (კონტაქტის) დროს. ჰ. ჰ. ს-ს განაპირობებს *ორმაგი ელექტრული შრის* წარმოქმნა, რაც გამოწვეულია შეხების მახლობელ არეში მცირე *გამოსვლის მუშაობის* მქონე სხეულიდან დიდი გამოსვლის მუშაობის მქონე სხეულში ელექტრონების ნაწილის გადასვლით. ამ დროს იცვლება თავისუფალი მუხტის მატარებლების (ელექტრონებისა და ხვრელების) კონცენტრაცია შეხების მახლობელ არეში. თერმოდინ. წონასწორობის პირობაა შემხებ სხეულში ელექტრონთა ელექტროქიმ. პოტენციალების ტოლობა. ჰ. ჰ. ს. დამოკიდებულია შემხებ სხეულთა მასალასა და ტემპ-რაზე; იყენებენ თერმოწყვილებში, თერმოგენერატორებსა და სხვა ხელსაწყოებში.

კონტეინერი (ინგლ. container<contain — დატევა), სტანდარტული ტევადობის სპეციალური ყუთი, უტარო ტვირთის გადასაზიდად სხვადასხვა სახის ტრანსპორტით. ჰ. ასრულებს ტრანსპორტის მოსახსნელი ორგანოს (ძარას) როლს. შეიძლება ძარას მექანიზებული დატვირთვა, გადმოტვირთვა და სხვ. ჰ-ის ზომა და ტევადობა შეესაბამება სატრანსპ. საშუალებათა ტვირთამწეობასა და გაბარიტებს. დანიშნულების მიხედვით იგი სამგვარია: უნივერს. (ნებისმიერი შეფუთული ტვირთის გადასაზიდი), სპეციალიზებული (საცალო, ფხვიერი ან თხევადი ტვირთის გადასაზიდი) და სპეც. (გადააქვთ მხოლოდ განსაზღვრული ტვირთი განსაკუთრებულ პირობებში. მაგ., კოსმოსში, წყალქვეშ და სხვ). ჰ-ის ტევადობა (ტვირთამწეობა) 1,25; 2,5; 5; 10; 20 და 30 ტ-აა. ფართოდაა გავრცელებული 5-ტონიანი ჰ., რ-იც ყველაზე უფრო შეესაბამება ტვირთამწევ მანქანებსა და სატრანსპ. საშუალებებს, ამასთან, ექსპლუატაციის დროს მოსახერხებელი და ეკონომიურია.

კონტექსტი (ლათ. contextus — შეერთება, შეკავშირება), წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწილი, რ-იც საშუალებას იძლევა სწორად განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის, ფრაზის თუ ნაწყვეტის მნიშვნელობა. ციტირების დროს ჰ-ის გათვალისწინების გარეშე ნაწყვეტი სულ სხვა, ზოგჯერ საწინააღმდეგო აზრსაც კი იძენს. მხატვრულ ტექსტში ჰ. გაცილებით ვრცელ მონაკვეთს მოიცავს, აქვს კონკრ. შინაარსი, სტილისტიკური ელფერი და მხატვრული გამოსახვის ხერხები (მაგ., პოეტური ფიგურები, სალექსო საზომი და სხვ.). ჰ-ის დარღვევასთან ერთად ირღვევა ტექსტის მხატვრული ერთიანობა და ძნელდება მისი აღქმა, შეუძლებელი ხდება ირონიის, ნართაულის, ქარაგმის ახსნა.

კონტი (Comte) ოგიუსტ (19. I. 1798, მონპელიე, — 5. IX. 1857, პარიზი), ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმისა და ბურჟ. სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სახელი გაითქვა ნაშრომით „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი" (ტ. 1—6, 1830—42, რუს. თარგმ., „დადებითი ფილოსოფიის კურსი", ტ. 1—2, 1899—1900). ჰ-ის მიხედვით, მეცნიერებამ და ფილოსოფიამ მოვლენათა მიზეზები კი არ უნდა ეძიოს, არამედ კითხვა უნდა დასვას მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშობიან ისინი. ამის შესაბამისად, მეცნიერება შეიმეცნებს არა არსს, არამედ მხოლოდ ფენომენებს. სენ-სიმონის მსგავსად ჰ. კაცობრიობის ინტელექტუალურ ევოლუციას სამ სტადიად ჰყოფს: თეოლ. სტადიაზე ყველა მოვლენა აიხსნება რელიგ. წარმოდგენათა საფუძველზე; მეტაფიზ. სტადიაზე ზებუნებრივ ფაქტორებს ცვლის ბუნების ახსნა არსითა და მიზეზებით; პოზიტიურ ანუ მეცნ. სტადიაზე წარმოიშობა საზ-ბის რაციონალური ორგანიზაციის ხელშემწყობი მეცნიერება საზ-ბის შესახებ.

ჰ-ის სოციოლოგია იყოფა სოც. სტატიად, რ-იც იკვლევს ნებისმიერი საზ-ბის არსებობის უცვლელ („ბუნებრივ") პირობებს და სოც. დინამიკად, რ-იც სწავლობს ნებისმიერი საზ-ბის განვითარების (მყარ „ბუნებრივ") კანონებს.

მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ჰ. განიმსჭვალა რელიგიისა და მისტიციზმის სულისკვეთებით. იგი სოციოლოგიას უწოდებს „სოციალურ ფიზიკას", რ-მაც ერთმანეთს უნდა შეუთანხმოს „წესრიგისა" და „პროგრესის" რესტავრატორული და რეგ. ტენდენციები. ამგვარი სოციოლოგია არის საკაცობრიო „პოზიტიური მორალი", ახ. „საკაცობრიო რელიგია".

ჰ-ის პოზიტივისტურმა იდეებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა XIX ს. ბუნებისმეტყველთა შორის ე. ლიტრესა (საფრანგეთი) და ინგლ. პოზიტივისტების ჯ. *მილისა* და ჰ. *სპენსერის* შრომების საშუალებით.

თხზ : Дух позитивной философии, СПб , 1910; [კრ-ში] Родоначальники позитивизма, в. 2, 4, 5, СПб., 1910—13.

ლიტ : Маркс К. и Энгельс Ф., Соч., 2 изд., т. 33, с. 138; т. 39, с. 326—327; Steinhauer M., Die politische Soziologie A. Comtes, Meisenheim am Glan, 1956.

კონტია, გველი ანკარასებრთა ოჯახისა. იგივეა, რაც *ეირენისი*.

კონტინგენტი (ლათ. contingens, ნათ. ბრ. contingentis — წილხვედრი), 1. ადამიანთა ერთობლიობა, რ-იც შედგა რაიმე გარკვეული ნიშნის მიხედვით. მაგ., ქარხნის მუშათა კოლექტივი, დაწესებულების მოსამსახურეთა კოლექტივი, სამხ. ნაწილის პირადი შემადგენლობა და სხვ. 2. გარკვეული მიზნით დადგენილი ზღვრული რაოდენობა, რისიმე ნორმა. მაგ., უმაღლეს სასწავლებელში მიღების ჰ.

კონტინენტი (ლათ. continens, ნათ. ბრ. continentis — ხმელეთი), დედამიწის ქერქის დიდი მასივი, რ-ის ზედაპირის უმეტესი ნაწილი ხმელეთის სახით მსოფლიო ოკეანის დონეზე მაღლა მდებარეობს, ხოლო პერიფერიული ნაწილი ოკეანის დონის ქვეშ არის მოქცეული (*კონტინენტის წყალქვეშა კიდე*). ჰ-ზე დედამიწის ქერქის საერთო სისქეა 35—45 *კმ*. მისთვის დამახასიათებელია გრანიტული (გრანიტ-მეტამორფული) ფენა.

თანამედროვე გეოლ. ეპოქაში 6 კონტინენტია: *ევრაზია, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია* და *ანტარქტიდა*. იხ. აგრეთვე *დედამიწა*.

კონტინენტის წყალქვეშა კიდე, მსოფლიო ოკეანის ფსკერის პერიფერიული ნაწილი, რ-იც რელიეფით და გეოლოგიური თვალსაზრისით ხმელეთის გაგრძელებას წარმოადგენს. ჰ. წ. ჰ-ის საერთო ფართ. დაახლ. 81,5 მლნ. *კმ*². იგი შედგება *შელფის, კონტინენტური კალთისა* და კონტინენტის ძირისაგან. ეს უკანასკნელი ორგ. სამყაროს სიღარიბით *ოკეანის საგებს* უახლოვდება. რადგან კონტინენტის ძირი ყველგან არ არის გამოხატული, ზოგი მკვლევარი ჰ. წ. ჰ-ის საზღვარს უშუალოდ კონტინენტური კალთის ძირში ატარებს. ხმელეთის სიახლოვის გამო ჰ. წ. ჰ-ზე (განსაკუთრებით შელფსა და კონტინენტის ძირზე) დიდი რაოდენობით გროვდება ტერიგენული მასალა.

კონტინენტური ბლოკადა, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა სისტემა, რ-საც ატარებდა 1806—14 საფრანგეთი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ. ჰ. ბ. კრძალავდა სავაჭრო, საფოსტო და სხვ. ურთიერთობებს ბრიტ. კ-ებთან. იგი ვრცელდებოდა საფრ. ძალაუფლების ქვეშ მყოფ ან მის მოკავშირე ყველა ქვეყანაზე. ჰ. ბ-მ ხელი შეუწყო საფრ. მრეწვ. ცალკეული დარგების განვითარებას (უმთავრესად მეტალ. და დამამუშავებელი), მაგრამ უარყოფითად იმოქმედა ევრ. მთელი რიგი ქვეყნების (რ-თაც ტრად. ეკონ. კავშირი ჰქონდათ დიდ ბრიტანეთთან) ეკონომიკაზე. დიდმა ბრიტანეთმა ჰ. ბ-ს უპასუხა კონტრბლოკადით, საზღვ. ვაჭრობის გაფართოებითა და კონტრაბანდული ვაჭრობით. *ტილზიტის ზავით* (1807) რუსეთი იძულებული გახდა შეერთებოდა ჰ. ბ-ს, რ-ის მძიმე პირობები რუსეთ-საფრ. ურთიერთობათა გამწვავებისა და ნაპოლეონ I-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყების (1812) ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. რუსეთთან ომში საფრ. დამარცხების შემდეგ ჰ. ბ-ს ფაქტობრივად არც ერთი სახელმწიფო აღარ იცავდა, ხოლო 1814 აპრ., ნაპოლეონის იმპერიის განადგურების შემდეგ, იგი საბოლოოდ გაუქმდა.

კონტინენტური კალთა, *კონტინენტის წყალქვეშა კიდის* ნაწილი, გარდამავალი ზონა შელფიდან ოკეანის ფსკერისაკენ. ახასიათებს მნიშვნელოვანი დახრილობა (საშუალოდ 4°-მდე, ხშირად 15—20°, ზოგჯერ 40°-მდე), საფეხურებრივობა და დანაწევრება. ჰ. ჰ-ის ზედა ნაწილში წყალქვეშა მეწყერების და სუსპენზიური ნაკადების მოქმედებით ხდება დანალექი მასალის ინტენს. გადაადგილება, ქვედა ნაწილში— აკუმულაცია. ჰ. ჰ-ს, როგორც ორგ. ნივთიერების მაღალი პროდუქტიულობის ზონას, გამოყოფენ *ბათიალის* სახელით.

კონტინენტური კონგრესები, ინგლისის 13 კოლონიის წარმომადგენელთა კრებები ჩრდ. ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ომის წინ და ომის მსვლელობის დროს. I ჰ. ჰ. ჩატარდა 1774 წ. 5 სექტ. — 26 ოქტ., II — 1775 წ. 10 მაისს — 1781 წ. 2 მარტს.

კონტინენტური შელფი, იხ. *შელფი*.

კონტინენტური ნალექები, ხმელეთის ზედაპირზე და შიგაკონტინენტურ წყალსატევებში (ტბები, მდინარეები) წარმოქმნილი ნალექები. ჰ. ნ-ის ხასიათი ძირითადად გაპირობებულია დალექვის უბნის ტექტონ., გეომორფოლ. და კლიმ. პირობებით. მთაში და მთისწინეთში ჰ. ნ. ძირითადად ნამსხვრევი ქანებია, დაბლობსა და ვაკეებზე ნამსხვრევ ქანებთან ერთად ბევრია ქემო- და ორგანოგენული ნალექები; ბელსა და თანამედროვე გამყინვარების რ-ნებში გავრცელებულია მყინვარული ნალექები, თბილსა და ნოტიო ჰავის პირობებში — ტბიური და მდინარეული ქვიშიან-თიხიანი და ქემოგენური ნალექები.

გ. ჩიხრაძე.

კონტინენტური ყინული, დიდი სისქის ამობურცული ყინულის ფარი, რ-იც ფარავს ხმელეთის მნიშვნელოვან ნაწილს. ჰ. ყ-ს აქვს ელიფსური პროფილი, რაც ყინულის თავისუფალი ბლანტი, პლასტ. დენადობით აიხსნება. ჰ. ყ-ის თანამედროვე ფარებია ანტარქტიკასა და გრენლანდიაში. ჰ. ყ-ის ფარები ევროპის ჩრდ-ით და ჩრდ. ამერიკაში პლეისტოცენში არაერთხელ გაჩენილა და გამდნარა.

კონტინუუმი (ლათ. continuum — უწყვეტი) მათემატიკაში, ტერმინი გამოყენებულია ან უწყვეტობის გარკვეული თვისებების მქონე წარმონაქმნებისა ან ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის სიმძლავრის აღსანიშნავად.

1. ყველაზე კარგად შესწავლილი უწყვეტი წარმონაქმნია ნამდვილ რიცხვთა სისტემა, ანუ ე. წ. რიცხვითი ჰ. თუ ძირითად ცნებად უტოლობის ცნებას ($a<b$) მივიჩნევთ, რიცხვითი ჰ-ის უწყვეტობა შეიძლება დავახასიათოთ ორი გზით: ა) ყოველ ორ $a<b$ რიცხვს შორის მდებარეობს ერთი c რიცხვი მაინც (რ-თვისაც $a<c<b$); ბ) თუ ყველა რიცხვი დაშლილია ორ A და B კლასად ისე, რომ A კლასის ყოველი a რიცხვი ნაკლებია B კლასის ნებისმიერ b რიცხვზე, მაშინ ან A კლასშია უდიდესი რიცხვი ან B კლასში —უმცირესი რიცხვი (დედეკინდის უწყვეტობის აქსიომა).

2. ჰ. *ტოპოლოგიაში* ეწოდება ბმულ *კომპაქტს*. ვინაიდან წრფეზე ან n-განზომილებიან სივრცეში კომპაქტები შემოსაზღვრული ჩაკეტილი სიმრავლეებია, ამიტომ ევკლიდურ სივრცეებში ჰ. შეიძლება განისაზღვროს როგორც ჩაკეტილი შემოსაზღვრული და ბმული სიმრავლეები.

კონტრაბასი.

კონტრაპოსტი. ბ. ამანატი. „ევენერა". ბრინჯაო. 1571. ფრანჩესკო I მედიჩის სტუდიოლო პალაცო ვეკიოში, ფლორენცია.



კონტრაფაგოტი.

3. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლის სიმძლავრეს ეწოდება ℵ-ის სიმძლავრე და აღინიშნება ან გუთური **c** ასოთი, ან ძველი ებრაული ℵ („ალეფ") ასოთი (სხვა სიმძლავრეებისაგან განსხვავებით—უინდექსოდ).

ლიტ.: იხ. სტ-თან სიმრავლეთა თეორია.

კონტინუუმის პრობლემა, ამოცანა, რ-იც მდგომარეობს იმაში, რომ დამტკიცდეს ან უარყოფილ იქნეს *სიმრავლეთა თეორიის* მეთოდებით შემდეგი წინადადება, ე. წ. კონტინუუმ-ჰიპოთეზა (კ-ჰ): *კონტინუუმის* სიმძლავრე არის პირველი სიმძლავრე, რ-იც მეტია ყველა ნატურალურ რიცხვთა სიმრავლის სიმძლავრეზე. განზოგადებული კონტინუუმ-ჰიპოთეზა (გ. კ-ჰ) მდგომარეობს შემდეგში: ნებისმიერი p სიმრავლისათვის პირველი სიმძლავრე, რ-იც მეტია ამ სიმრავლის სიმძლავრეზე, არის p სიმრავლის ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლის სიმძლავრე.

კ. პ. წამოაყენა გ. *კანტორმა* XIX ს. 80-იან წლებში. თვით გ. კანტორის, აგრეთვე XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. სხვა გამოჩენილი მათემატიკოსების მრავალი ცდა დაემტკიცებიათ კ-ჰ უშედეგო აღმოჩნდა. 1936 წ. კ. *გედელმა* დაამტკიცა, რომ გ.კ-ჰ თავსებადია აქსიომურ სიმრავლეთა თეორიის ერთ ბუნებრივ სისტემასთან და, მაშასადამე, შეუძლებელია გ.კ-ჰ-ის უარყოფა ტრადიციული საშუალებებით. 1963 წ. ამერ. ლოგიკოსმა პ. კოენმა, თავის მიერ შექმნილი, ე. წ. იძულების მეთოდის საშუალებით დაამტკიცა, რომ კ-ჰ-ის უარყოფაც თავსებადია ამ სისტემასთან. ამრიგად, შეუძლებელია კ-ჰ-ის დამტკიცება სიმრავლეთა თეორიის ჩვეულებრივი მეთოდებით.

კონტოკორენტი (იტალ. conto — ანგარიში და corrente — მიმდინარე), კლიენტის ერთიანი ანგარიში ბანკში, რ-შიც აღრიცხავენ ბანკის მიერ კლიენტის დავალებით შესრულებულ ყველა ოპერაციას. ჰ-ის დებეტში აისახება კლიენტის დავალებით გადასახდელები, ხოლო კრედიტში—კლიენტისაგან ბანკში შეტანილი საშუალებანი და მესამე პირთაგან მის ანგარიშზე შემოსული თანხები. ჰ. აქტიურ-პასიური ანგარიშია. მისი სალდო უჩვენებს კლიენტის დავალიანებას ბანკისადმი ან ბანკში არსებული თავისუფალი საშუალებების ნაშთს, რ-იც კლიენტს ეკუთვნის.

კაპიტალ. ქვეყნებში ჰ-ის გახსნისას ბანკი აწესებს საკრედიტო ლიმიტს, რ-ის ფარგლებშიც კლიენტს შეუძლია აწარმოოს გადარიცხვები ბანკის კრედიტის ხარჯზე. შეთანხმებისას ითვალისწინებენ ანგარიშის წარმოების სხვა პირობებსაც. ჰ. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა იმპერიალიზმის დროს. გფრ-ში, საფრანგეთში, ბელგიაში და ა. შ. ჰ-ის სახესხვაობაა ოვერდრაფტი — ანგარიში, რ-ის მიხედვით კლიენტს შეუძლია სესხად მიიღოს ბანკში თავის ანგარიშზე შეტანილ საშუალებებზე მეტი. იგი გავრცელებულია ინგლისსა და აშშ-ში.

სსრკ-ში ჰ-ს იყენებდნენ 1930—31 წლებში. 1931 იგი შეიცვალა ანგარიშსწორების ანგარიშით.

კონტრ..., კონტრა... (<ლათ. contra—მოპირდაპირე), რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს იმის საწინააღმდეგოს, საპირისპიროს, საპასუხოს, რაც გამოხატულია სიტყვის მე-2 ნაწილით. მაგ., კონტრრევოლუცია, კონტრდაზვერვა, კონტრაპოსტი და სხვ. მუსიკაში ჰ. ნიშნავს: „ოქტავით დაბლა". მ., კონტროქტავა.

კონტრაბანდა (იტალ. contrabando—განცხადების საწინააღმდეგო), საქონლის თუ სხვა ფასეულობის გადატანა სახელმწიფო საზღვარზე ფარულად ან საბაჟო წესების დარღვევით; ასეთნაირად გადატანილი საქონელი ან სხვა ფასეულობა. სსრკ-ის საბაჟო კოდექსი ჰ-დ მიიჩნევს ამგვარი საქონლის ან სხვა ფასეულობის შენახვასა და გადაადგილებასაც, საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის უნებართვოდ გაყიდვასაც და ა. შ. ჰ. არის მარტივი და კვალიფიციური. მარტივი ჰ. იწვევს ადმ. პასუხისმგებლობას. კვალიფიციური კი — სისხლის სამართ. სასჯელს (იხ. საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 79). ჰ. კვალიფიციურია, თუ ჰ. ჩადენილია დიდი ოდენობით; თუ ჰ. ჩაიდინა სპეციალურად ორგანიზებულმა ჯგუფმა ან თანამდებობის პირმა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით; თუ ჰ-ის საგანია ფეთქებადი, ნარკოტიკული, ძლიერად მოქმედი ან შხამიანი ნივთიერება და სხვ.

საერთაშ. სამართალში ცნობილია სამხ. ჰ. — ნეიტრალური სახელმწიფოდან მეომარ სახელმწიფოში ომის საჭიროებისათვის გაგზავნილი ტვირთი. როცა იგი უშუალოდ სამხ. დანიშნულებისაა, მაშინ აბსოლ. ჰ-ად ითვლება და მოწინააღმდეგე მეომარ სახელმწიფოს შეუძლია მისი კონფისკაცია (იხ. *პრიზის სამართალი*). როცა ტვირთს საომართან ერთად სამოქალაქო მოხმარების დანიშნულებაც აქვს, იგი შედარებითი ჰ-ა და მოწინააღმდეგე მხარეს მისი კონფისკაცია მაშინ შეუძლია, თუ იგი გაგზავნილია მტრის შეიარაღებული ძალებისათვის. საერთაშ. სამართ. ჩვეულებითი ნორმები სამხ. ჰ-ის შესახებ ასახულია საზღვაო ომის სამართ. 1909 ლონდონის დეკლარაციაში.

კონტრაბასი (იტალ. contrabasso), სიმებიან-ხემიანი მუსიკალური საკრავი. ვიოლინოს ოჯახში ყველაზე დიდი ზომის (დაახლ. 2 *მ*) და დაბალი ჟღერადობისა. აქვს კვარტაზე აწყობილი 4 სიმი. არსებობს 3- და 5-სიმიანი ჰ-ც. უკრავენ ფეხზე დამდგარი. ჰ. უპირატესად საორკესტრო და საანსამბლო საკრავია. ზოგჯერ იხმარება სოლო შესრულებისთვისაც (ცნობილი ვირტუოზებია: ჯ. ბოტეზინი, იტალია, XIX ს.; ს. კუსევიცკი, რუსეთი, XX ს.; ფ. გერტოვიჩი, სსრკ და სხვ.). ჰ. ეწოდება აგრეთვე დაბალი რეგისტრის მუს. საკრავების ყოველგვარ ნაირსახეობას (ჰ.-ტრომბონი, ჰ.-ტუბა, ჰ.-ბალალაიკა და სხვ.).

კონტრადიქცია (*კონტრა...* და ლათ. dictio — თქმა), დებულება, რ-ის მცდარობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ლოგიკური ანალიზის საშუალებით, მისი ფაქტებთან შედარების გარეშე. მაგ., ეს ვარდი არის წითელი და არ არის წითელი. იხმარება ვიწრო მნიშვნელობითაც; ლოგიკური გამოსახულება, რ-საც არ აკმაყოფილებს მასში შემავალი ცვლადების მნიშვნელობათა არც ერთი სისტემა. ჰ. პირველი აზრით არის ჩანაცვლებითი კერძო შემთხვევა ჰ-ისა ვიწრო მნიშვნელობით.

ლ. *მჭედლიშვილი.*

კონტრავარიანტულობა, იხ. სტ. *კოვარიანტულობა და კონტრავარიანტულობა.*

კონტრალტო (იტალ. contralto), ქალის ყველაზე დაბალი დიაპაზონის ხმა. მისთვის ყველაზე დამახასიათებელი და გამომსახველია მკერდისმიერი რეგისტრი (მცირე ოქტავის ფა-სოლიდან — პირველი ოქტავის ლიამდე). აქვს მკვრივი, დაყურსული ტემბრი. ჰ-ს საოპერო პარტიებია: ოლგა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), კონჩაკოვნა (ბოროდინის „თავადი იგორი") და სხვ. კომპოზიტორები ჰ-თვის ხშირად წერდნენ მოზარდი ბიჭუნებისა და ჭაბუკების პარტიებს: ვანია (გლინკას „ივანე სუსანინი"), ზიბელი (გუნოს „ფაუსტი") და სხვ.

კონტრაპოსტი (იტალ. contrapposto—საწინააღმდეგო, მოპირისპირე) სახით ხელოვნებაში, ფიგურის გამოსახვის ხერხი, რ-იც გულისხმობს სხეულის ერთი ნაწილის მდგომარეობის დაპირისპირებას მეორე ნაწილის მდგომარეობასთან (მაგ. ადამიანის სხეულის ზედატანი გამოსახულია შებრუნებულად, ქვედატანი კი — ფრონტალურად).

ჰ. დინამიკით ავსებს ფიგურის ფორმათა რიტმს, გადმოსცემს მოძრაობას ან დაძაბულობას, აძლიერებს ფიგურის სამგანზომილებიანობას, ამასთანავე აი არღვევს ფორმათა საერთო წონასწორობას.

კონტრაპუნქტი (გერმ. Kontrapunkt) მუსიკაში: 1. მრავალხმიანობის ფორმა, ერთდროულად მჟღერი ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდიის შეერთება, განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს მოძრავი ჰ. პოლიფონიური აგებულების ხმათა განმეორებითი გატარება. 2. პოლიფონიურ ნაწარმოებებში — მელოდია, რ-იც თემასთან ერთად ჟღერს. 3. ვიწრო (ნიშვნელობით — მრავალხმიანობა, რ-ის თითოეულ ბგერას მასთან ერთად მჟღერი, ასეთივე გრძლივობის ბგერა ეპასუხება სხვა ხმით. 4. მუს. თეორიის ერთი უმთავრესი მონაკვეთი. სსრკ-ში იწოდება პოლიფონიად.

კონტრასტი (ფრანგ. contraste — მკვეთრად გამოხატული დაპირისპირება) ახვით ხელოვნებაში, ფერების ან ჩრდილ-ნათელის დაპირისპირებით (განსხვავებით ნიუანსური მოდელირებისაგან) ცალკეული ფორმის ან სივრცის აკების ხერხი. ცივი და თბილი, კაშკაშა და მუქი ფერებისა და ტონების დაპირისპირებას ბევრი ცნობილი მხატვარი მიმართავდა (ლატური, სეზანი, გოგენი და სხვ.). ჰ-მა განსაკუთრებული გამოყენება პოვა აბსტრაქტულ (პ. მონდრიანი, ვ. კანდინსკი, კ. მალევიჩი, პ. კლეე, ხ. მირო და სხვ.) და დეკორ. ხელოვნებაში.

კონტრატიპირება (*კონტრა...* და ბერძნ. typos — ანაბეჭდი) კინოფილმისა, კინონეგატივის დუბლიკატის მიღება ჰ-თვის დუბლპოზიტიურ კინოფირზე ბეჭდავენ ნეგატივს და ამზადებენ შუალედურ პოზიტივს, რ-ისგანაც შემდგომ დუბლნეგატიურ კინოფირზე ღებულობენ ნეგატივის დუბლიკატს — კონტრატიპს, ან კონტრატიპს ნეგატივიდან უშუალოდ შექცევად კინოფირზე მიიღებენ. ფილმის ტირაჟირებას კონტრატიპებიდან ახდენენ, რაც უზრუნველყოფს ორიგინალის (კინოფილმის ნეგატივის) დაცვას.

კონტრაფაგოტი (იტალ. contrafagotto), ხის სასულე მუსიკალური საკრავი. ფაგოტის ნაირსახეობა. ჟღერს მასზე ოქტავით დაბლა. შექმნა XVII ს. გერმ. ოსტატმა გ. შრაიბერმა. XX ს-ში სრულყო გერმ. კონსტრუქტორმა ვ. პეკელმა. ჰ-ის არხის სიგრძე დაახლ. 5 *მ*-ია, დიაპაზონი— სუბკონტროქტავის სი-ბემოლიდან მცირე ოქტავის ფა-მდე (C.-f). ხოტები იწერება ნამდვილი ჟღერადობიდან ოქტავით ზევით. იხმარება სიმფ. და სასულე ორკესტრებში. სიმფ. პარტიტურაში ჰ-ის პარტია იწერება ფაგოტის პარტიის ქვემოთ და ვალტორნის პარტიის ზემოთ.

კონტრაფაქცია (გვიანდ. ლათ. contrafactio — გაყალბება < *კონტრა...* და ლათ. facio—ვაკეთებ), ბურჟუაზიული სამართლის ტერმინი—საავტორო უფლების დარღვევა: სხვისი ნაწარმოების გამოცემა და გავრცელება ავტორის თანხმობის გარეშე. ჰ. ნიშნავს აგრეთვე ამა თუ იმ ფირმის პოპულ. საქონელზე მოთავსებული ნიშნის გამოყენებას სხვა ფირმის სასაქონლო ნიშანზე; იგი უპატიოსნო კონკურენციის გამოვლენაა და გამიზნულია მყიდველთა შესაცდენად.

კონტრაქტაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა სსრკ-ში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ფორმა, რ-იც ამარტივებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და მეურნეობებს შორის. მრავალი დამამზადებელი ორგანიზაციის ნაცვლად სახელმწ. დამზადების ეს ერთიანი ფორმა ხელს უწყობს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით შესრულებას. შესყიდვის ეს სისტემა აგებულია სას.-სამ. პროდუქტთა წარმოების ეკონ. სტიმულირებაზე, რ-იც ხელსაყრელია, როგორც კოლ-ბისათვის, ისე სახელმწიფოსათვის.

კ-ის გამოყენებით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა წინასწარ დაგეგმოს პროდუქტების დამზადების მოსალოდნელი რაოდენობა, ხოლო კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებს — პროდუქციის გარანტირებული რეალიზაციის მოცულობა.

კ., როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა, ითვალისწინებს ურთიერთვალდებულების სისტემას: კოლ-ბასა და საბჭ. მეურნეობაში სახელმწიფოსათვის სას.-სამ. პროდუქტების მიყიდვის ვალდებულებას—პროდუქციის დროულად მიღების უზრუნველყოფას, დაწესებულ ვადებში ანაზღაურებას, აგრეთვე ფულადი ავანსების გაცემას დროისა და სიდიდის აღნიშვნით; კონტრაქტის ვალდებულებას — დახმარება გაუწიოს კოლ-ბებსა და საბჭ. მეურნეობებს წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის სათანადო პუნქტებში ტრანსპორტირების დარგში; მიღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა ურთიერთ მატერ. პასუხისმგებლობას.

კ. პირველად შემოიღეს 1928—29 წლებში და 1933-მდე ძირითადად მისი საშუალებით ხდებოდა სას.-სამ. პროდუქტების დამზადება. კ. ფორმდებოდა ხელშეკრულების სახით, ერთი მხრივ, სახელმწიფო და კოოპ. ორგანიზაციების და, მეორე მხრივ, კოლ-ბებსა და კოლმეურნე გლეხობას შორის. 1938 წ. 19 იანვრიდან მარცვლეულ კულტურებზე, კარტოფილზე, მზესუმზირაზე, ბრინჯზე, ხორცზე და რძეზე შემოიღეს სავალდებულო დამზადების სისტემა. ხოლო 1958-იდან მოქმედებს სას.-სამ. პროდუქტების დამზადების ახ. ფორმა. ამ დროს შემოიღეს ერთიანი ფასები დიფერენციულად ცალკეული ზონების მიხედვით. 1961-იდან მოხდა გარკვეული ცვლილებები სას.-სამ. პროდუქტების დამზადების მოქმედ სისტემაში. ქვეყნის მასშტაბით დაწესდა შესყიდვის ერთიანი სისტემა. ხოლო 1971-იდან კვლავ გარკვეული ცვლილებანი მოხდა სას.-სამ. პროდუქტების დამზადების სისტემაში, დამყარდა პირდაპირი კავშირი სამრეწვ. და სას.-სამ. საწარმოებს შორის.

ო. ვაშაკიძე.

კონტრაქტი (ლათ. contractus), იგივეა, რაც *ხელშეკრულება*.

კონტრაქტურა (ლათ. contractura — შევიწროება, შეკუმშვა), სახსრის მოძრაობის შეზღუდვა სასახსრე ზედაპირების ანდა სახსართან ფუნქციურად დაკავშირებული რბილი ნაწილების ავადმყოფური ცელილების შედეგად. განარჩევენ მომხრელ, გამშლელ, მომზიდველ, განმზიდველ და სხვ. კ-ს, წარმოშობის მიხედვით — თანდაყოლილსა და შეძენილს. თანდაყოლილი კ-ის მიზეზია კუნთების, სახსრებისა (*კისერმრუდობა, ბრტყელტერფიანობა* და სხვ.) და კანის (კანის აპკი თითებს შორის) განუვითარებლობა. შეძენილი კ. შეიძლება იყოს: დერმატოგენული (ბერძნ. derma — კანი), წარმოიქმნება კანის დიდი დეფექტების (დამწვრობა, ჭრილობა, ანთება და სხვ.) მეორეული დაჭიმვით შეხორცების შედეგად; დესმოგენური (ბერძნ. desmos—იოგი), ვითარდება ფასციების (კუნთების ირგვლივ მდებარე შემაერთებელქსოვილოვანი ფირფიტები), იოგებისა და სასახსრე ჩანთის ანთების ან დაზიანების შემდეგ; მიოგენური (ლათ. mys, myos — კუნთი), რ-საც იწვევს კუნთების ანთება, ტრავმა ან რაიმე სხვა პათოლ. პროცესი; ტენდოგენური (გვიანდ. ლათ. tendo — მყესი), ვითარდება მყესების ან მათი ბუდეების დაზიანების ან ანთების დროს; ართროგენული (ბერძნ. arthron—სახსარი), დაკავშირებულია თვით სახსარში მიმდინარე პათოლ. პროცესთან (სახსრის ზედაპირების მთლიანობის დარღვევა ან ცვლილებები იოგოვან აპარატში); ნევროგენული, ვითარდება ცენტრ. და პერიფერიული ნერვული სისტემების დაავადებათა დროს. კ-ის მიმდინარეობა დამოკიდებულია სახსრის დაზიანების ხარისხზე, ლოკალიზაციასა და კ-ის გამომწვევ მიზეზზე.

მკურნალობა: კ-ის გასწორება დაჭიმვით ან დისტრაქციული აპარატებით, აგრეთვე თაბაშირის ეტაპური ნახვევებით; სამკურნ. ფიზკულტურა, მასაჟი, ფიზიოთერაპია. უშედეგო კონსერვატული მკურნალობისას — ქირურგ. ოპერაცია.

კონტრაქციის ჰიპოთეზა (ლათ. contractio — მოჭიმვა, შეკუმშვა), გეოლოგიური ჰიპოთეზა, რ-იც ქანების დანაოჭებას და მთათწარმოშობის პროცესებს ხსნის დედამიწის რადიუსისა და მისი ზედაპირის თანდათანობითი შემცირებით (*ელი დე ბომონი*, 1829). კ. ჰ-ის თანახმად, დედამიწის რადიუსის შემცირება გამოწვეულია დედამიწის გაცივებით. ეს წარმოდგენა ეყრდნობოდა ამჟამად უარყოფილ კანტ-ლაპლასის კოსმოგონიურ ჰიპოთეზას პლანეტების გამლღვალ-თხევადი მასიდან წარმოშობის შესახებ *ე. გამყრელიძე.*

კონტრაჰენტი (ლათ. contrahens, ნათ. ბრ. contrahentis — ხელშეკრულების დამდები), *ხელშეკრულების* ერთ-ერთი მხარე.

კონტრდაზვერვა, სახელმწიფოს სპეციალური ორგანოების მიერ სხვა სახელმწიფოთა დაზვერვის წინააღმდეგ წარმოებული საქმიანობა. კაპიტალ. სახელმწიფოებში კ. წარმოადგენს მრავალრიცხოვანი ცენტრ. და პერიფერიული ორგანოების სისტემას, რ-იც ზნირად რამდენიმე უწყებად არის გაშლილი. იგი ეწევა კონტრდაზვერვით საქმიანობას ყველა (მ. შ. მეგობრული) სახელმწიფოების დაზვერვის წინააღმდეგ, აქტიურად მოქმედებს კომუნისტური და მუშათა პარტიების და სხვა პროგრ. ორგანიზაციების საქმიანობის ჩასაშლელად. კაპიტალ. ქვეყნების კ. მოიცავს საზ. ცხოვრების ყველა სფეროში თვალთვალის რთულ სისტემას. სოციალ. ქვეყნებში კ. კაპიტალ. სახელმწიფოების დაზვერვათა და სხვა სპეც. სამსახურების—შპიონაჟის, დივერსიების, ტერორის, იდეოლოგიური დივერსიებისა და სხვ. ძირგამომთხრელი საქმიანობის, აგრეთვე მათ მიერ გამოყენებული ორგანიზაციებისა და პირების წინააღმდეგ საბრძოლველადაა მიმართული.

კონტრდარტყმა, თავდაცვითი ბრძოლის დროს თავდაცვის სისტემაში შეჭრილი ან მის სიღრმეში შეღწეული მოწინააღმდეგის დაჯგუფების წინააღმდეგ ჯარების მიერ განხორციელებული დარტყმა. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს საბჭ. ჯარების თავდაცვითს ოპერაციებში კ-ს იყენებდნენ იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის ძალები შეებოჭათ ერთი მიმართულებით, რათა დარტყმა სხვა მიმართულებით განეხორციელებიათ, არ დაეშვათ თავდაცვაში მყოფი ჯარების ძირითადი დაჯგუფების გარემოცვა ან განეხორციელებიათ გარემოცული ჯარების დებლოკირება და სხვ.

კონტრიბუცია (ლათ. contributio), თანხა, რ-იც ომში დამარცხებულ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა გამარჯვებული სახელმწიფოსათვის საზავო ხელშეკრულების თანახმად ან რ-საც მტრული სახელმწიფოს სამხ. ხელისუფლება შეაწერდა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას. კ. ექსპლუატატორულ სახელმწიფოთა ომებისათვის დამახასიათებელი ძარცვის ერთ-ერთი ფორმაა. მონათმფლობელურ და ფეოდ. ეპოქებში ჩვეულებრივი იყო ომში გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ სამხ. ნადავლის დასაკუთრება ან ხარჯის დადება დამარცხებული ქვეყნისათვის; XVIII ს. ბოლოდან საზავო ხელშეკრულებებში დამკვიდრდა გამარჯვებულის „უფლება" კ-ით აენაზღაურებინა თავისი საომარი ხარჯები.

საბჭ. სახელმწიფომ თავიდანვე დაგმო კ. და მოუწოდა I მსოფლიო ომის (1914—18) ყველა მონაწილეს დაედო ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ, რაც პრინციპად ჩამოყალიბდა *დეკრეტში ზავის შესახებ*. საბჭ. დიპლომატიისა და საზ. აზრის ზეგავლენით ანტანტის ქვეყნები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ კ-ზე და *რეპარაციებით* შეეცვალათ იგი. თანამედროვე საერთაშ. სამართალი არ ცნობს კ-ს: სსრკ-ის მეცადინეობით იგი არ დაუშვეს II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებებში, ჟენევის 1949 ერთ-ერთმა კონვენციამ კი კ. საბოლოოდ აკრძალა. *გ. ფანია.*

კონტროლერი (ინგლ. controller, სიტყვასიტყვით — გამგებელი), დაბალი ძაბვის ელექტრული აპარატი, რ-საც იყენებენ ტრამვაის, ტროლეიბუსის, ელექტრომავლის, ამწეს და სხვ. მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომრავების ასამუშავებლად, სიჩქარის სარეგულირებლად, რევერსირებისა და ელექტრული დამუხრუჭებისათვის. კ-ის საშუალებით ცვლიან მართვის წრედში ელექტრულ წინაღობას, ძალური წრედების შეერთების სქემებსა და ელექტროძრავების აგზნების წრედებს. კ-ს მართავენ ჩვეულებრივ ხელით (სახელურით ან მქნევარათი); მისი დისტანციური მართვისათვის იყენებენ სერვოძრავას.

კონტროლი ციფრული გამომთვლელი მანქანისა (ცგმ), ღონისძიებათა სისტემა, რ-ის მეშვეობით აღმოაჩენენ ცგმ-ის მუშაობაში დაშვებულ შეცდომებს, აგრეთვე უწესივრო ელემენტებსა და მოწყობილობებს. პროცესს ჩატარების ხერხის მიხედვით განასხვავებენ პროგრამულსა და აპარატულ კ-ს.

პროგრამული კ-ით, რ-იც სპეც. გამომცდელი პროგრამების (ტესტების) საშუალებით მიმდინარეობს, შესაძლებელია მანქანისა და მისი ცალკეული მოწყობილობის მუშაობაში დაშვებული მუდმივი და შემთხვევითი ცდომილებების გამოვლენა, აგრეთვე ცგმ-ის პროგრამისა და გამოთვლების სიზუსტის დადგენა. პროგრამული კონტროლის მაგალითია განმეორებითი თვლა (ცგმ-ის მუშა პროგრამით გათვალისწინებული პროცესების განმეორებით შესრულება საწყისი მონაცემების ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის და გამოთვლის შედეგების ურთიერთშედარება). თუ მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა დიდია, საჭირო ხდება საკონტროლო ავჯამვა და შედეგად მიღებული ჯამების ერთმანეთთან შედარება. პროგრამული კ. აუმჯობესებს მანქანის საექსპლუატაციო თვისებებს, მის სწრაფმოქმედებას კი აფერხებს.

აპარატული კ-ის მეთოდების უმეტესობა ემყარება ინფორმაციის კოდში სიჭარბის შეტანას. აპარატული კ-ის ყველაზე გავრცელებული სახეობაა კ. სხვადასხვა მარტივი რიცხვის მოდულით: ინფორმაციაში, რ-საც მანქანა გადაამუშავებს, შეაქვთ დამატებითი ნიშანი — ნაშთი, რ-იც მიიღება გადასაცემი რიცხვის გაყოფით შემოღებულ მოდულზე (მარტივ რიცხვზე) ან ციფრთა ჯამის მოდულზე. ინფორმაციის მიღების დროს საკონტროლო თანრიგს, რ-იც ხელახლა ფორმირდება, ადარებენ გადაცემულს; მ. შ. სხვაობა ცდომილებაზე მიუთითებს. შეცდომათა გასასწორებლად იყენებენ მაკორექტირებელ კოდს.

ცნობილია აგრეთვე პროგრამულ-აპარატული კ. *ბ. მებუკე.*

კონტროქტავა, მუსიკალური სკალის ერთ-ერთი მონაკვეთი. იხ. *ოქტავა.*

კონტრრეფორმაცია, კათოლიკური რეაქცია, საეკლესიო-პოლიტიკური მოძრაობა ევროპაში XVI—XVII სს. შუა წლებში. კ-ს პაპები მეთაურობდნენ, იგი მიმართული იყო რეფორმაციის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა კათოლიკობის მიერ XVI ს. I ნახევარში დაკარგული პოზიციების აღდგენას. არსებითად კ. იყო ფეოდ. რეაქციის ერთ-ერთი გამოვლინება რელიგ. ფორმით. მისი მთავარი იარაღი იყო *ინკვიზიცია*, მონაზვნური ორდენები და რომის კურია. კ-ში უდიდე-

კონტრფორსი. რეიმსის ტაძრის კონტრფორსები. საფრანგეთი. XIII—XIV სს.



კონულარიები: ა—გარეგანი ფორმა; ბ—განივი კვეთი (სქემა).



კონუსი



ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.

სი აქტიურობა გამოიჩინა 1534—40 შექმნილმა იეზუიტთა ორდენმა. ძირითადად მასზე დაყრდნობით მოახერხა პაპობამ *ტრიენტის საეკლესიო კრებაზე* (1545—63) მიეღწია რწმენის საქმეში პაპის ავტორიტეტის შეუცდომლობის აღიარებისათვის, მკაცრი საეკლ. ცენზურის დაწესებისა და „აკრძალული წიგნების ინდექსის" გამოცემისათვის და სხვ. კრების გადაწყვეტილებანი ერთგვარ პროგრამად იქცა. მიიღეს ე. წ. რწმენის ტრიენტული აღიარება, რ-ზედაც ხელი უნდა მოეწერა ყველა სას. პირს. ყოველგვარი გადახვევა ამ რწმენიდან ერესად ცხადდებოდა. ჰ-ის დროს იეზუიტებმა ხელში ჩაიგდეს ბევრი უნ-ტი და კათოლ. რეაქციის იარაღად გადააქციეს. ჰ-ის თავგამოდებული მოლვაწეები იყვნენ რომის პაპები პაველ III, პაველ IV, პიუს IV და სხვ. ჰ-მ შეამჭიდროვა ფეოდ. რეაქციის ძალები და გარკვეულად განამტკიცა კათოლ. ეკლესიისა და პაპობის მდგომარეობა (ჩაახშვეს რეფორმაცია და მთელ რიგ ქვეყნებში აღადგინეს კათოლ. ეკლესია). შეძლო დროებით შეეჩერებინა ახ. ბურჟ. საზ-ბის ძალების შემოტევა.

კონტრრეფორმები, რეაქციული გარდაქმნები რუსეთში XIX ს. 80—90-იან წლებში, რ-იც მიმართული იყო 60—70-იანი წწ. ბურჟუაზიული რეფორმების გადასასინჯად. „ჰ." გამოხატავდა ალექსანდრე III-ის მთავრობის რეაქციულ საშინაო პოლიტიკას, რ-საც ატარებდა დ. ტოლსტოის სამინისტრო. „ჰ-ის" შედეგად გაძლიერდა ცენზურა, სკოლაში აღდგა წოდებრივი პრინციპები, გაუქმდა საუნივერსიტეტო ავტონომია, დაარსდა სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო ერობათა საქმიანობის შეზღუდვა და ცენტრ. ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების გაძლიერება. „ჰ." სასამართლოსაც შეეხო. „ჰ-ის" სრულ განხორციელებას ხელი შეუშალა რევ. და საზ. მოძრაობის ზრდამ.

კონტრფორსი [ფრანგ. contre-force — უკუქმედების ძალა (არქიტექტურა)], გრძივი კედელი, ვერტიკალური შვერილი ან მალი, რ-იც ამაგრებს ძირითად მზიდავ კონსტრუქციას (მეტწილად ნაგებობის კედელს გარედან) და რ-ზეც ხდება ჰორიზონტალური დაწოლა (კამარისა, რ-ითაც გადახურულია შენობა; გრუნტისა, რ-იც აწვება საყრდენ კედლებს და სხვ.). კედლის ფუძესთან ჰ-ის გრძივი კვეთი ჩვეულებრივ იზრდება (თანდათან ან საფეხურისებრად); თუ ჰორიზ. დაწოლა უმნიშვნელოა, კვეთი მთელ სიმაღლეზე უცვლელი რჩება. ჰ-ს იყენებენ აგრეთვე კედლების გასამაგრებლად ხუროთმოძღვრული ძეგლების რეკონსტრუქციის დროს.

კონტრშეტევა, ოპერატიული და სტრატეგიული მასშტაბის შეტევის განსაკუთრებული სახეობა, რ-ის მიზანია თავდაცვაში მყოფ ჯარებთან წინა ბრძოლებში დასუსტებული მოწინააღმდეგის განადგურება. ჩვეულებრივი შეტევისაგან განსხვავებით, ჰ. მზადდება თავდაცვითი ბრძოლის მსვლელობაში. სამოქალაქო ომისა და სამხ. ინტერვენციის (1918—20) წლებში წითელმა არმიამ ჰ-ის მსვლელობაში განადგურა ა. კოლჩაკის (1919), ნ. იუდენიჩის (1919), ა. დენიკინის (1919) კონტრრევ. ჯარები და ბურჟ.-მემამულური პოლონეთის არმია (1920). დიდ სამამულო ომში (1941—45) საბჭ. ჯარების ჰ-ის ნიმუშებია ჰ-ები მოსკ. (1941—42), სტალინგრადისა (1942—43) და კურსკის (1943) ბრძოლებში. ყველა ეს ოპერაცია დასრულდა მოწინააღმდეგის განადგურებითა და საბჭ. ჯარების საერთო შეტევაზე გადასვლით.

კონტუათი, სოფელი წულუკიძის რ-ნში (მათხოჯის სოფსაბჭო), იმერეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 130 *მ*, წულუკიძიდან 4 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 26 *კმ*. მათხოჯის ვ. ი. ლენინის სახ. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა). რვაწლ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), მედპუნქტი. სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს-ში.

კონტუზია (ლათ. contusio — ნაჟეჟი), მთელი სხეულის ან მისი უმეტესი ნაწილის რბილი ქსოვილების დახურული დაზიანება კანის ანატომიური მთლიანობის დაურღვევლად, რასაც იწვევს მექან. ზემოქმედება ჰაერის ტალღის დაკვრის, აფეთქებისა და სხვათა დროს; შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე დიდი რაოდენობის ფხვიერი ნივთიერების (ქვიშა, ხრეში) ქვეშ მოყოლამ ან წყალში აფეთქებისას წყლის მასის დარტყმამ.

ჰ-თვის უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია გონების დაკარგვა, რ-ის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჰ-ის სიმძიმეზე და შეიძლება რამდენიმე *წთ*-იდან რამდენიმე დღე-ღამემდე და მეტიც გასტანოს. ამასთანავე შეიძლება დაირღვეს სუნთქვა და გულის მოქმედება. გონს მოსვლის შემდეგ აღინიშნება ძლიერი თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, თავბრუ, *ამნეზია*, მეტყველებისა და სმენის დარღვევა. მძიმე ჰ-ის შემდეგ ავადმყოფი დიდხანს ცუდად გრძნობს თავს, სწრაფად იღლება და ადვილად აღიგზნება. თავის ტვინის ჰ-მ შეიძლება დააზიანოს ტვინის სხვადასხვა მიდამო და გამოიწვიოს მოძრაობის, მეტყველების, მგრძნობიარობის, მხედველობისა და სმენის დარღვევა, ტვინში სისხლჩაქცევა, სისხლძარღვებიდან გადმოღვრილი სისხლის ტვინზე დაწოლამ კი— უმძიმესი გართულება — ტვინის შუშუპება. თავის ტვინის ჰ-ის შედეგად დროთა განმავლობაში შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიის მსგავსი გულყრა.

მკურნალობა: სრული სიმშვიდე, სასწრაფო სამედ. დახმარება, ჰოსპიტალიზაცია; პარეზისა და დამბლის დროს— სამკურნ. ფიზკულტურა, მეტყველების დარღვევისას — ლოგოპედთან მეცადინეობა და სხვ. სპეც. სამედ. ღონისძიებანი.

კონტური (ფრანგ. contour), საგნის გარეგანი მოხაზულობა, ფორმის გამომკვეთი ხაზი, აბრისი. გამოსახულება, რ-შიც ჭარბობს კონტურული შტრიხები, ხასიათდება გრაფიკული ლაკონიზმითა და რიტმულობით.

კონტურული აფეთქება, ბურღვა-აფეთქებით სამუშაოთა წარმოების ხერხი, რ-ის მეშვეობით გვირაბის გაყვანის დროს შესაძლებელია მისი საპრიფტო კონტურის ზუსტი დაცვა და კონტურის გარეთ მასივის დანაპრალების თავიდან აცილება. ჰ. ა-თვის საჭიროა გვირაბის კონტურზე შპურების თავისებური განლაგება, მათი დიამეტრის, მუხტის სიდიდისა და კონსტრუქციის განსაკუთრებული შერჩევა. განასხვავებენ ჰ. ა-ის ორ სახეობას: გლუვ აფეთქებას (კონტურული შპურები ბოლოს ფეთქდება) და საკუთრივ ჰ. ა-ს (პირველად კონტურული შპურები ფეთქდება).

კონულარიები (Conulata), ამომწყდარი უხერხემლო ცხოველების ჯგუფი, რ-ებსაც უფრო ხშირად ნაწლავღრუიანებს მიაკუთვნებენ. ცხოვრობდნენ ზღვებში ადრეული კამბრიული პერიოდიდან ადრეულ ტრიასამდე. ჰქონდათ პირამიდული ან სიგარისებური თხელკედლიანი ჩონჩხი, რ-იც სიცოცხლეში ალბათ ელასტიკური იყო. წვეროს ნაწილი განივი ტიხრებით საკნებად იყო დაყოფილი. ჰ-ს ოთხსხივიანი სიმეტრია ჰქონდათ. უმრავლესობა თავისუფლად მცხოვრები მცურავი ცხოველი იყო.

კონუნგი (ძვ. ნორვ. konungr), სამხედრო ბელადი, გვაროვნული არისტოკრატიის უმაღლესი წარმომადგენელი ადრინდ. შუა საუკუნეების სკანდინავიაში. მოგვიანებით (დანიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში) ჰ. სათავეში ედგა ცალკეულ ტომს ან ოლქის მოსახლეობას. IX—XI სს-ში სკანდ. ყოველ ქვეყანაში აღზევდა ერთ-ერთი საგვარეულოს ჰ., რ-მაც თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა მთელი მოსახლეობა. დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესის პირობებში, ჰ. ტომთა კავშირის ბელადიდან თანდათან სახელმწ. მეთაურად — მეფედ — იქცა.

კონურბაცია [ლათ. con(cum) — ერთად და urbs—ქალაქი], ეკონომიკური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობით მჭიდროდ დაკავშირებული დამოუკიდებელი ქალაქების ჯგუფი. ჰ-ის განვითარებული ფორმაა *აგლომერაცია დასახლებული პუნქტებისა*.

კონუსი (ლათ. conus, ბერძნ. kōnos), 1. ჰ. ანუ კონუსური ზედაპირი სივრცის იმ წრფეების (მსახველების) გეომეტრიული ადგილია, რ-ებიც აერთებენ რაიმე წირის (მიმმართველის) ყველა წერტილს სივრცის მოცემულ წერტილთან (წვეროსთან). თუ მიმმართველი მეორე რიგის წირია, რ-იც არ მდებარეობს ერთ სიბრტყეში წვეროსთან, მაშინ მიიღება მე-2 რიგის ჰ. (იხ. ნახ. 1, სადაც მიმმართველი ელიფსია). მე-2 რიგის ჰ-ებს შორის უმარტივესია წრიული ჰ., რ-ის მიმმართველია წრეწირი, ხოლო წვეროო ორთოგონალურად გეგმილდება მის ცენტრში. 2. ელემენტარულ გეომეტრიაში წრიული ჰ. ეწოდება გეომ. სხეულს, რ-იც შემოსაზღვრულია წრიული ჰ-ის ზედაპირითა და მიმმართველი წრეწირის მომცველი სიბრტყით (ნახ. 2). მისი მოცულობა ტოლია $\pi r^2 h/3$, გვერდითი ზედაპირი კი — $\pi r l$. თუ ჰ-ს გადაკვეთთ სიბრტყით, რ-იც ფუძის სიბრტყის პარალელურია, მაშინ მიიღება წაკვეთილი ჰ. (ნახ. 3), რ-ის მოცულობაა $\pi(R^2+r^2+Rr)h/3$. ხოლო გვერდითი ზედაპირი — $\pi(R+r)l$.

კონუსური ზედაპირი, იგივეა, რაც *კონუსი*.

კონუსური კვეთა, წირი, რ-იც მიიღება წრიული კონუსის სიბრტყესთან გადაკვეთისას, როდესაც ეს სიბრტყე არ გადის კონუსის წვეროზე. ჰ. კ-ები შეიძლება იყოს სამი ტიპის (იხ. ნახ.).

ანალიზური გეომეტრიის თვალსაზრისით ყოველი ჰ. კ. წარმოადგენს ნამდვილ მეორე რიგის წირს. იმ შემთხვევაში, როდესაც ჰ. კ-ს აქვს სიმეტრიის ცენტრი (ცენტრი), ე. ი. წარმოადგენს ელიფსს ან ჰიპერბოლას, მისი განტ. (კოორდინატთა სათავის ცენტრში გადატანით) შეიძლება დაიყვანოთ შემდეგ სახეზე:

$$a_{11}x^2+2a_{12}xy+a_{22}y^2=a_{33}.$$

ასეთი ჰ. კ-ის შემდგომი გარდაქმნა გვიჩვენებს, რომ მისი განტ. დაიყვანება უფრო მარტივ სახეზე: $Ax^2+By^2=C$ (1), თუ საკოორდინატო ღერძების მიმართულებად მივიჩნევთ ე. წ. მთავარ მიმართულებებს ანუ მთავარი ღერძების (სიმეტრიის ღერძების) მიმართულებებს. თუ ერთნაირია A და B რიცხვების ნიშანი (რ-იც C ნიშანს ემთხვევა), მაშინ (1) განტ. განსაზღვრავს ელიფსს, თუ A და B-ს ნიშნები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაშინ— ჰიპერბოლას. პარაბოლის განტ. (1) სახეზე დაყვანა შეუძლებელია. საკოორდინატო ღერძების სათანადო შერჩევით (ერთი საკოორდინატო ღერძი არის პარაბოლის ერთ-ერთი სიმეტრიის ღერძი, მეორე — მისი პერპენდიკულარული წრფე, რ-იც გადის პარაბოლის წვეროზე) პარაბოლის განტ. დაიყვანება $y^2=2px$ სახეზე.

ჰ. ჰ. ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. საბერძნეთის მათემატიკოსებისათვის. ყველაზე სრული თხზულება, რ-იც მიეძღვნა ამგვარ წირებს, იყო *აპოლონიოს პერგელის* „კონუსური კვეთები" (დაახლ. ძვ. წ. 200). ჰ. ჰ-ის თეორიის შემდგომი წარმატებები დაკავშირებულია XVII ს-ში შექმნილ ახ. გეომ. მეთოდებთან: გეგმილურ (ფრანგი მათემატიკოსები *ჟ. დეზარგი* და *ბ. პასკალი*) და განსაკუთრებით საკოორდინატო (ფრანგი მათემატიკოსები, *რ. დეკარტი*, *პ. ფერმა*) მეთოდებთან.

კვლევის თანამედროვე მეთოდებზე გადასვლისას კ. კ-ის სტერეომეტრიული განსაზღვრა შეიცვალა ამ წირების პლანიმეტრიული განსაზღვრებით. მაგ., ელიფსი განისაზღვრება როგორც გეომეტრიული ადგილი წერტილებისა, რ-თათვისაც ორ მოცემულ წერტილამდე (ფოკუსამდე) მანძილების ჯამს მოცემული მნიშვნელობა აქვს.

ინტერესი კ. კ-დმი იმითაა გაპირობებული, რომ ამ სახის წირები ხშირად გვხვდება ბუნების სხვადასხვა მოვლენებსა და ადამიანთა მოღვაწეობაში.

კონფედერაცია (ლათ. confoederatio — კავშირი, გაერთიანება), 1. სუვერენულ სახელმწიფოთა მუდმივი კავშირი რაიმე საერთო (უპირატესად პოლიტ. ან სამხ.) მიზნის მისაღწევად. 2. ქმნის ცენტრ. ორგანოებს, რ-თა გადაწყვეტილებანი ერთხმივობის პრინციპით მიიღება და კ-ის წევრი სახელმწიფოს თანხმობით ხორციელდება. ისტორიაში ცნობილია კ-ები — რაინის კ. (1254—1350), ჰანზის ლიგა (1367—1669), შვეიცარიის კ. (1291—1798, 1815—48), გერმ. კ. (1815—66) და სხვ. ჩვეულებრივ, კ. წინ უსწრებს *ფედერაციის* შექმნას. შვეიცარია ინარჩუნებს სახელწოდებას „კ.", თუმცა ფაქტობრივად იგი ფედერაციაა. 2 რაიმე საზ. ორგანიზაციათა კავშირი (მაგ., შრომის საყოველთაო კ. საფრანგეთში).

კონფერანსიე (ფრანგ. conferencier — მომხსენებელი), ესტრადის მსახიობი, რ-იც აცხადებს საკონცერტო ნომრებს. კ-ს ხელოვნება შემსრულებლისგან მოითხოვს მახვილგონიერებას, იმპროვიზაციის ტალანტს, აუდიტორიასთან მჭიდრო კავშირის დამყარების უნარს. კ. პირველად გამოჩნდა XIX ს. 60-იან წლებში პარიზის კაფეშანტანებსა და კაბარეებში.

კონფერენცია (გვიანდ. ლათ. conferentia < ლათ. confero — ვაგროვებ), 1. სახელმწიფოების, პარტიულ, საზოგადოებრივ, სამეცნ. და სხვ. ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, თათბირი ამა თუ იმ საკითხის განსახილველად. 2. კლინიკაში, საავადმყოფოში ექიმების ხანმოკლე შეკრება დილით, სამუშაოს დაწყებამდე.

კონფიგურაცია (გვიანდ. ლათ. configuratio — ფორმის მიცემა, განლაგება), 1. რისიმე გარეგანი მოხაზულობა, ფორმა. 2. საგანთა განლაგება ერთმანეთის მიმართ.

კონფიგურაციები ასტრონომიაში, მზის, მთვარის, პლანეტებისა და მზის სისტემის სხვა სხეულთა განსაკუთრებული ურთიერთმდებარეობანი ცის სფეროზე. ე. წ. ქვედა პლანეტებისათვის (იხ. ნახ.), რ-თა ორბიტები დედამიწის ორბიტის შიგნითაა, განასხვავებენ ზედა და ქვედა შეერთებებს მზესთან (ამ დროს პლანეტისა და მზის ეკლიპტიკური გრძედები თანატოლია) და აღმ. და დას. ელონგაციებს (პლანეტიდან მზემდე ხილული კუთხური მანძილი უდიდესია). ზედა შეერთებისას პლანეტა მზის მიღმაა და მის სხივებშია გაუჩინარებული, ქვედა შეერთებისას კი შეიძლება გამოჩნდეს მისი გავლა მზის დისკოზე. ორბიტათა ელიფსურობის გამო პლანეტის კუთხური მანძილი მზიდან ელონგაციების დროს ცვალებადობს. მერკურისათვის იგი აღწევს 28°, ვენერასათვის კი — 48°.

ზედა პლანეტებისათვის (მათი ორბიტები დედამიწის ორბიტის გარეთაა) განასხვავებენ ზედა შეერთებას (მზისა და პლანეტის ეკლიპტიკური გრძედები თანატოლია), პირისპირდგომას (გრძედთა სხვაობა 180°-ია) და აღმ. და დას. კვადრატურებს (გრძედთა სხვაობა 90°-ია). ამ პლანეტების დამზერა ყველაზე უკეთ შეიძლება პირისპირდგომის დროს.

ანალოგიურად განიმარტება მთვარის, *მცირე ცოცხალების,* კომეტების, კოსმ. ზონდებისა და სხვა სხეულთა კ. მაგ., მთვარის კ. შეესაბამება მთვარის ფაზებს; მთვარისა და პლანეტების კ-ის ცხრილები ყოველწლიურად ქვეყნდება ასტრონ. წელიწდეულებში (ნახ. იხ. გვ. 652).

კონფირმაცია (ლათ. confirmatio — დამტკიცება), მირონცხება, ქრისტიანული ეკლესიის საიდუმლო. კათოლ. ეკლესიაში კ-ის, რ-იც ეხება 8—12 წლის ბავშვებს, რიტუალს ასრულებს ეპისკოპოსი. პროტესტანტული ეკლესია კ-ს არ მიიჩნევს სავალდებულოდ, ამიტომ კ. მათთან ნიშნავს 14—16 წელს მიღწეული ქალიშვილებისა და ჭაბუკების პირველ ზიარებას. როგორც კათოლიკეები, ისე პროტესტანტები, კ-ს ატარებენ საზეიმოდ, კითხულობენ რელიგ. ტექსტებს, განსაკუთრებით — ლოცვებს.

კონფირმაცია განაჩენისა, ბურჟ. სამართალში სასამართლოს განაჩენის დამტკიცება დადგენილი წესით.

კონფისკაცია ქონებისა (ლათ. confiscatio), მოქალაქის პირადი ქონების იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებად გადაცემა. საბჭ. სისხლის სამართალში კ. ძ. გამოიყენება როგორც დამატებითი სასჯელი მხოლოდ სახელმწ. დანაშაულისა და მძიმე ანგარებითი დანაშაულისათვის, თანაც მარტოოდენ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., მ. 34). შეიძლება როგორც მთელი ქონების, ისე მისი ნაწილის კონფისკაცია. ქონების ნაწილის კონფისკაციის დროს განაჩენში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, თუ ქონების რომელი ნაწილის ან სახელდობრ რა საგნების კონფისკაცია ხდება. კანონი ადგენს იმ საგნების სიას, რ-თა კონფისკაცია არ შეიძლება (იხ. საქ. სსრ სისხლის სამართ. კოდ., დანართი). სახელმწიფო პასუხს აგებს მსჯავრდებულის ვალებისათვის მხოლოდ კონფისკებული ქონების ღირებულების ფარგლებში.

კ. ძ. როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელი, უნდა განვასხვაოთ იმ საგნების კონფისკაციისაგან, რ-იც გამოყენებული იყო დანაშაულის ჩასადენად ან შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით. ამ საგნების კონფისკაცია უნდა მოხდეს ყველა შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად კ. ძ. დაიდო თუ არა პირს სასჯელად. კ. ძ. შეიძლება აგმ. წესითაც (მაგ., კონტრაბანდული საქონლის კ.). *თ. წერეთელი.*

კონფლიქტი (ლათ. conflictus — შეჯახება), ფართო მნიშვნელობით წინააღმდეგობის უკიდურესი გამწვავება ორი ან მეტი სხვადასხვა ღირებულების კონკურენციული ტენდენციის ერთდროული აღძვრის საფუძველზე; კონფლიქტური სიტუაციები სხვადასხვა ტიპისაა. მაგ., ორი თანაბარი და დადებითი ღირებულების მქონე შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა; ორი უარყოფითი ღირებულების თავიდან აცილების სურვილი; მოქმედება სიტუაციაში, რ-იც თანაბრად შეიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით ღირებულებას და სხვ. კონფლიქტური სიტუაციები პიროვნებაში იწვევს შექმნილი პირობების მიმართ პიროვნების შეგუების სიძნელეების ამსახველ რეაქციებს ისეთი ემოციების სახით, როგორიცაა შიში, წუხილი, შფოთვა და სხვ.

კ. მხატვრული, დაპირისპირებულთა ბრძოლა ლიტ. ნაწარმოებში. ასახავს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს. კ. მოქმედების განვითარების საფუძველია. უშუალოდ უკავშირდება სიუჟეტს. ვლინდება ნაწარმოების კომპოზიციასა და ცალკეულ დეტალებში. უმთავრესად გვხვდება ეპოსში, დრამაში, რომანში, ნოველაში, კინოსცენარსა და სხვ. კ., ჩვეულებრივ, თემის, პრობლემატიკის ბირთვია, ხოლო მისი გადაწყვეტის ხასიათი მხატვრული ნაწარმოების იდეის განმსაზღვრელი ფაქტორია. მხატვრული კ-ის ესთეტ. სპეციფიკა გამოხატულია ტრაგიკულის, კომიკურის, იდილიურის (ანუ უკონფლიქტობის) კატეგორიებით.

ლიტ.: Маркс К. и Энгельс Ф., Об искусстве, т. 1—2, М., 1967; Бочаров С. Г., Характеры и обстоятельства, ზგბ.: Теория литературы. Основные проблемы в историческом освещении, [кн. 1], М., 1964. *გ. მჭედლიშვილი.*

კონფორმაცია (ლათ. conformatio — ფორმა, განლაგება), მოლეკულების, გეომეტრიული ფორმები, რ-ებიც შეიძლება მიიღოს ორგანული ნაერთების მოლეკულებმა ატომების ან ატომთა ჯგუფების მობრუნებისას მარტივი ბმის ირგვლივ. ამ დროს ქიმ. ბმის თანამიმდევრობა არ იცვლება. განსხვავებული კონფორმაციის მოლეკულებს უწოდებენ *კონფორმერებს* ანუ *ბრუნვით იზომერებს.* კ-ის არსებობა განპირობებულია სივრცითი ურთიერთქმედებებით (მიზიდვით, განზიდვით, წყალბადური ბმის წარმოქმნით). ამა თუ იმ ორგ. ნაერთის მოლეკულებს შეუძლიათ მიიღონ მრავალი კ., რ-შიც ჭარბობს ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელი კ. მოლეკულების კონფორმაციული მდგომარეობა გავლენას ახდენს ნივთიერებათა ფიზ. თვისებებზე, მათ ქიმ. გარდაქმნათა მიმართულებასა და რეაქციის სიჩქარეზე.

კონფორმაციული ანალიზი, *სტერეოქიმიის* დარგი, რ-იც იკვლევს მოლეკულების *კონფორმაციებს* და მათ კავშირს ნივთიერებათა ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებთან. ერთი და იმავე მოლეკულის კონფორმაციები არ წარმოადგენს მოლეკულის სხვადასხვა *იზომერს,* რადგან ისინი განუწყვეტლივ გადადიან ერთიმეორეში (იხ. *იზომერია*). მაგ., მეთილის რადიკალების ბრუნვა C—C მარტივი ბმის ირგვლივ ეთანის მოლეკულაში დაკავშირებულია მცირე სიდიდის (~3 *კკალ/მოლ*) ენერგეტიკული ბარიერის გადალახვასთან. ამის გამო ეთანის მოლეკულა ორი ფორმის დაჩრდილული და დამუხრუჭებული კონფორმაციების სახით არსებობს. ინფრაწითელი სპექტრების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ენერგეტიკულად ხელსაყრელია, ე. ი. მდგრადია დამუხრუჭებული კონფორმაცია. მდგრადი კონფორმაციებისა და მარტივი ბმის მობრუნების ენერგეტიკული ბარიერების სიმაღლის განსაზღვრის მიზნით გამოკვლეულ იქნა ეთანის მრავალი ნაწარმი თერმოქიმ., სპექტრული და სხვა მეთოდებით. კონფორმაციული კვლევების ჩასატარებლად, გარდა ქიმ. მეთოდებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზ. მეთოდებსაც, განსაკუთრებით ბირთვული მაგნიტური რეზონანსის მეთოდს. მონაცემები ორგ. მოლეკულების კონფორმაციათა შესახებ საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ მათი რეაქციაში შესვლის უნარი.

ლიტ.: Конформационный анализ, пер. с англ., М., 1969.

კონფორმიზმი (<გვიანდ. ლათ. conformis — მსგავსი, შესაბამისი), მორალურ-პოლიტიკური შინაარსის ტერმინი, რ-იც აღნიშნავს საგანთა არსებული მდგომარეობისადმი, გაბატონებული შეხედულებებისადმი და ა. შ. პასიურ შეგუებას, საკუთარი პოზიციის უქონლობას, უპრინციპო და არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ყოველგვარი ნიმუშისადმი (უმრავლესობის აზრი, აღიარებული აუტორიტეტი, ტრადიცია და ა. შ.), რ-საც ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. თანამედროვე ბურჟ. საზ-ბაში კ. ინერგება სისტემისათვის ნიშანდობლივი აღზრდისა და იდეოლოგიური ზემოქმედების მასიური საშუალებებით. კ-გან განსხვავებით სოციალ. კოლექტივიზმი ითვალისწინებს ინდივიდის აქტიურ მონაწილეობას ჯგუფური ნორმების გამომუშავებაში, კოლექტ. ღირებულებათა შეგნებულ ათვისებასა და საკუთარი ქცევის შეთანხმებას კოლექტივის, საზ-ბის ინტერესებთან.



კონუსური კვეთა, ა — მკვეთი სიბრტყე კვეთს კონუსის ყველა მსახველს ერთ-ერთი კალთის წერტილებში; გადაკვეთის წირი არის ჩაკეტილი ოვალური წირი (ელიფსი); წრეწირი, როგორც ელიფსის კერძო შემთხვევა, მიიღება მაშინ, როდესაც მკვეთი სიბრტყე კონუსის ღერძის პერპენდიკულარულია. ბ — მკვეთი სიბრტყე კონუსის ერთ-ერთი მზები სიბრტყის პარალელურია; კვეთში მიიღება უსასრულობისაკენ მიმართული გახსნილი წირი (პარაბოლა). გ — მკვეთი სიბრტყე კვეთს კონუსის ორივე კალთას; გადაკვეთის წირი (პიპერბოლა) შედგება ორი ერთნაირი არაჩაკეტილი ნაწილისაგან (ჰიპერბოლის შტოებისაგან), რომელნიც მიიმართებიან უსასრულობისაკენ და განლაგებულნი არიან კონუსის ორივე კალთაზე.



კონფიგურაციები ასტრონომიაში: 1—ქვედა პლანეტის ორბიტა; 2—დედამიწის ორბიტა; 3—ზედა პლანეტის ორბიტა; 4,8—ზედა შეერთება; 5—ქვედა შეერთება; 6—აღმოსავლური ელონგაცია; 7—დასავლური ელონგაცია; 9—პირისპირდგომა; 10—აღმოსავლური კვადრატურა; 11—დასავლური კვადრატურა.



ნახ. 1.



ნახ. 2.

კონფორმული ასახვა. ნახ. 1. კონფორმული ასახვის უმარტივესი მაგალითი—მსგავსება; ნახ. 2. მართი კუთხის კონფორმული ასახვა ნახევარსიბრტყეზე; ხდება იმ შემთხვევაში თუ O წერტილიდან გამოსულ ყოველ სხივს, რომელიც α კუთხეს ადგენს Ox ღერძთან, გარდავსახავთ O′x′ ღერძთან 2α კუთხის შემქმნელ და O′-იდან გამოსულ სხივში. ამასთან, ეს გარდაქმნა ისე ხდება, რომ ყოველი M წერტილი, რომლისთვისაც $OM=r$, აისახება M′ წერტილში, რომლისთვისაც $O'M'=r^2$. ვინაიდან M წერტილი გამოსახავს $z=r(\cos\alpha+i\sin\alpha)$ კომპლექსურ რიცხვს, M′ წერტილი კი $z'=r^2(\cos 2\alpha+i\sin 2\alpha)$, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს კონფორმული ასახვა ხორციელდება $z'=z^2$ კომპლექსური ცვლადის ფუნქციის საშუალებით.

კ-გან უნდა განვასხვავოთ კონფორმულობა (კონფორმული რეაქციები), რ-საც შეისწავლის სოც. ფსიქოლოგია. იგი თვლის, რომ პიროვნების სოციალიზაციისა და ნებისმიერი სოც. სისტემის ნორმალური ფუნქციონირების წანამძღვარია განსაზღვრული ჯგუფური ნორმების, ჩვევებისა და ღირებულებების ათვისება. ინდივიდის მიერ სოც. ინფორმაციის ათვისება და ჯგუფურ ზემოქმედებაზე მისი დამოკიდებულების ზომა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით. ესენია: პიროვნული (ინდივიდის შთაგონებადობის ხარისხი, თვითშეფასების მდგრადობა და სხვ.), ჯგუფური (ინდივიდის მდგომარეობა ჯგუფში, ჯგუფის სიმჭიდროვისა და სტრუქტურის ხარისხი და სხვ.), სიტუაციური (ამოცანის შინაარსი და ინდივიდის ინტერესი მისადმი, გადაწყვეტილების მიღების მასშტაბი და სხვ.) და ზოგადკულტურული (როგორ ფასდება მოცემულ საზ-ბაში პიროვნული თავისთავადობა, მსჯელობის დამოუკიდებლობა და ა. შ.) ფაქტორები.

ლიტ.: Кон И. С., Социология личности, М., 1967.

კონფორმული ასახვა, კონფორმული გარდაქმნა, ერთი ფიგურის (არის) მეორეზე ასახვა, რ-ის დროსაც პირველი ფიგურის შიგა წერტილში რაიმე კუთხით გადამკვეთი ორი წირი გადადის იმავე კუთხით გადამკვეთი მეორე ფიგურის წირებში (კ. ა-ის უმარტივესი მაგალითები იხ. ნახაზზე). სიბრტყის ორი არის კ. ა. შეიძლება არ არსებობდეს. მაგ., R_1 და R_2 $(R_1<R_2)$ რადიუსის წრეწირებით შემოსაზღვრული წრიული რგოლი შეუძლებელია კონფორმულად აისახოს მეორე რგოლზე, რ-იც შემოსაზღვრულია r_1 და r_2 რადიუსის მქონე წრეწირებით $(r_1<r_2)$, თუ არ არის შესრულებული $\frac{R_1}{R_2}=\frac{r_1}{r_2}$ ტოლობა. ნებისმიერი ორი არე, რ-თაგან თითოეული შემოსაზღვრულია ერთი წირით (ცალბმული არეები) შეიძლება ერთიმეორეზე კონფორმულად აისახოს (რიმანის თეორემა). რამდენიმე წირით შემოსაზღვრული არეები ყოველთვის შეიძლება კონფორმულად აისახოს იმ არეზე, რ-იც შემოსაზღვრულია იმავე რაოდენობის ერთმანეთის პარალელური მონაკვეთებით (ჰილბერტის თეორემა), ან წრეწირებით (კებეს თეორემა), მაგრამ ამ მონაკვეთების ან წრეწირების ზომების ალება და მათი ურთიერთგანლაგება არ შეიძლება ნებისმიერად.

ერთი არის მეორეზე კ. ა-ის დროს ათვლის მიმართულება ან უცვლელია (პირველი გვარის კ. ა.), ან იცვლება საწინააღმდეგოდ (მეორე გვარის კ. ა.). თუ შემოვიტანთ z და z' კომპლექსურ ცვლადებს ორიგინალისა და ანასახის სიბრტყეებში, მაშინ z', განხილული კ. ა-ის დროს როგორც z-ის ფუნქცია, იქნება ან *ანალიზური ფუნქცია* (პირველი გვარის კ. ა.), ან ანალიზურ ფუნქციის შეუღლებული (მეორე გვარის კ. ა.) და პირუკუ, თუ $z'=f(z)$ ფუნქცია ანალიზურია მოცემულ არეში და არის სხვადასხვა წერტილში ღებულობს სხვადასხვა მნიშვნელობას $[f(z_1)\neq f(z_2)$, თუ $z_1\neq z_2]$ (ასეთ ფუნქციას ეწოდება ცალფურცლა), მაშინ $f(z)$ კონფორმულად ასახავს მოცემულ არეს სიბრტყის რომელიმე არეზე.

კ. ა-ს იყენებენ კარტოგრაფიაში, აეროდა ჰიდრომექანიკაში, ელექტროსტატიკაში, დრეკადობის თეორიაში და სხვ.

კ. ა-ის თეორიას საფუძველი ჩაუყარა ლ. *ეილერმა* (1777). ერთი ზედაპირის მეორეზე კ. ა-ის ზოგადი ამოცანის შესწავლამ *კ. გაუსი* (1822) მიიყვანა ზედაპირთა ზოგად თეორიამდე. ბ. *რიმანმა* (1851) დაადგინა, თუ რა პირობებში ხდება ერთი არის კ. ა. მეორეზე, მაგრამ მის მიერ მითითებული ამოხსნა დასაბუთდა მხოლოდ XX ს. დასაწყისში (ა. *პუანკარე*, კ. *კარათეოდორი*). ნ. *ჟუკოვსკისა* და ს. *ჩაპლიგინის* გამოკვლევებმა ფართო გზა გაუხსნეს კ. ა-ის გამოყენებას აერო- და ჰიდრომექანიკაში. კ. ა-ის თეორიაში მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მიღებული საბჭ. მეცნიერებს.

ლიტ.: Лаврентьев М. А., Шабат Б. В., Методы теории функций комплексного переменного, 3 изд., М., 1965; Маркушевич А. И., Теория аналитических функций, 2 изд., т. 2, М., 1968.

კონფორმული გარდაქმნა, იგივეა, რაც *კონფორმული ასახვა*.

კონფუცი, ქუნ ფუ-ძი (ძვ. წ. დაახლ. 551 — ძვ. წ. 479), ძვ. ჩინელი მოაზროვნე, პოლიტიკური მოღვაწე და პედაგოგი, *კონფუციანელობის* ფუძემდებელი. ცხოვრობდა ლუს სამეფოში. ახალგაზრდობაში წვრილი მოხელე იყო. შემდეგ კი ჩინეთში პირველი კერძო სკოლა დააარსა. კ-ს მოძღვრების ძირითადი შეხედულებები გადმოცემულია წიგნში „საუბრები და მსჯელობანი" რ-იც წარმოადგენს კ-ს საუბრის ჩანაწერებს მის უახლოეს მოწაფეებსა და მიმდევრებთან. კ-ს მოძღვრების მთავარი ცნებაა ჟენი (ჰუმანურობა), რ-იც გამოხატავს უმთავრეს ეთიკურ-პოლიტ. დებულებებს. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ლის (თანაცხოვრების ნორმების) ცნებას. ლი უმაღლესი ზნეობრივი კანონის — ჟენის კონკრ. ხორცშესხმაა. ზნეობრივი კანონის საფუძველია ასაკითა და მდგომარეობით უფროსის პატივისცემა და ხელმწიფის ერთგულება. კ-ს მოძღვრება სამართლიანად მიიჩნევს საზ-ბის დაყოფას არისტოკრატებად და მდაბიოებად. არისტოკრატია უნდა მართავდეს, ხოლო უბრალო ხალხი მას ემსახურებოდესო. ძვ. წ. 136 კ-ს მოძღვრება ოფიც. დოქტრინა გახდა.

ლიტ.: История философии, т. 1, ч. 2, М., 1957, гл. 1; Попов П. С., Изречения Конфуция, учеников его и других лиц, пер. с кит., СПб., 1910; Rygaloff A., Confucius, P., 1946. *გ. რუსია.*

კონფუციანელობა, ეთიკურ-პოლიტიკური მოძღვრება, რ-იც აღმოცენდა ძვ. ჩინეთში. ორი ათასი წლის განმავლობაში იგი დიდ გავლენას ახდენდა ჩინ. სულიერი კულტურის, პოლიტ. ცხოვრებისა და საზ. წყობილების განვითარებაზე. ძვ. წ. VI ს-ში კ-ს საფუძველი ჩაუყარა *კონფუციმ*. კ. გაბატონებული კლასის ნაწილის (მემკვიდრეობითი არისტოკრატიის) ინტერესებს გამოხატავდა, ძვ. ტრადიციების დაცვით ხელს უწყობდა არსებული საზ. წყობილებისა და სახელმწ. მმართველობის ფორმების განმტკიცებას. საყოველთაო კანონად მიიჩნევდა ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად (კონფუცის ტერმინოლოგიით — გონებრივი და ფიზ. შრომის ადამიანთა), დაყოფას, კ-ის ეთიკის ძირითადი პრინციპია ჟენის („ჰუმანურობის") ცნება — ადამიანთა ურთიერთობის (საზ-ბასა და ოჯახში) უმაღლესი კანონი. ჟენი მიიღწევა ზნეობრივი თვითსრულყოფის გზით ლის („ეტიკეტის") დაცვის საფუძველზე. იგი ემყარება ასაკითა და მდგომარეობით უფროსის პატივისცემას, ხელმწიფის ერთგულებას და ა. შ. „კეთილშობილთა" უბრალო ხალხთან დაპირისპირება და მათი უპირატესობის მტკიცება კ-ის სოც.-კლასობრივი ხასიათის აშკარა გამოხატულებაა.

კ-ის მიმდევრები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ე. წ. ჰუმანური მართვის საკითხებს. მათი აზრით, ხელმწიფე „ზეცის შვილია" და ზეცის ნებას ასრულებს. მმართველთა ხელისუფლება უწმინდესია. კ. მოუწოდებდა ხელმწიფეებს ემოქმედათ ხალხზე არა კანონებითა და დასჯით, არამედ მაღალზნეობრივი სათნოებით, არ დაებეგრათ იგი მძიმე გადასახადებით. კ-ის მიმდევარ მენ-ძის (ძვ. წ. IV—III სს.) დასაშვებად მიაჩნდა ხალხს ჰქონოდა უფლება აჯანყების გზით ჩამოეგდო სასტიკი გამგებელი. კ-ის წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ ცალკეულ გამგებლებს და უპირისპირებდნენ მათ შორეული წარსულის „ბრძენსა" და „სათნო" ხელმწიფეებს (ე. ი. გვარტომობრივ ბელადებს). ამასთანაა დაკავშირებული კ-ის სოც. უტოპია საზ-ბა და ტუნის („უდიდესი ერთობის"), „ოქროს საუკუნის" შესახებ. რ-ის დროსაც იყო მშვიდობა, თანასწორობა და ჰუმანურობა.

ძვ. წ. 136 კ. გამოცხადდა ოფიც. დოქტრინად და XX ს-მდე *სინხაის რევოლუციამდე (1911)* გაბატონებული იდეოლოგია იყო. იგი ხელს უწყობდა ფეოდ. აბსოლ. დესპოტიზმს. კ-ში თანდათან ძლიერდებოდა რელიგ.-მისტ. და რეაქციული მხარე, კერძოდ თვალსაზრისი ხელმწიფის — „ზეცის შვილის" ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. კ. ხალხში ნერგავდა „ზეცის შვილისადმი" ფანატიკურ ეროგულებას, ჩინეთცენტრიზმს, შოვინიზმსა და უპატივცემულო, აბუჩადამგდებ დამოკიდებულებას სხვა ხალხებისადმი.

კ-ის განვითარებაში ახ. ეტაპი დაიწყო სუნის ეპოქაში (960—1279); ცნობილმა ისტორიკოსმა, ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა ჯუ სიმ (1130—1200) განაახლა კ. — შექმნა ფილოს. სისტემა ნეოკონფუციანელობა. ამ მოძღვრებამ აითვისა და შეინარჩუნა ძვ. კ-ის ძირითადი პრინციპები, მისი რეაქციული დებულებები სოც. წესწყობილების შეურყეველობის, ადამიანების მაღალ და დაბალ ფენებად, კეთილშობილებად და სულმდაბლებად დაყოფის კანონზომიერებისა და „ზეცის შვილის" (სამყაროს მბრძანებლის) გაბატონებული როლის შესახებ. ნეოკონფუციანელობა ოფიციალურად იქნა აღიარებული ორთოდოქსალურ, გაბატონებულ იდეოლოგიად. რ-იც ახ. დრომდე ბორკავდა და ამუხრუჭებდა საზ-პოლიტ. და ფილოს. აზრის განვითარებას. აფერხებდა მეცნ. და ტექ. პროგრესს, ხელს უწყობდა ჩინ. იზოლაციას ცივილიზაციისაგან.

ბურჟ. რეფორმატორმა კან იუ-ვეიმ და მისმა მიმდევრებმა XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში სცადეს კ-ის მოდერნიზება. წამოაყენეს ძვ. დრომოჭმული კულტურის ახ. დემოკრ. და უფრო მოწინავე კულტურით შეცვლის მოთხოვნა. ეს დიდი დარტყმა იყო კ-თვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩინ. სრ-ის შექმნის შემდეგაც იგი კვლავ გარკვეულ გავლენას ახდენს მოსახლ. გარკვეულ ფენებზე. ხელს უწყობს პიროვნების კულტის გავრცელებას, ნაციონალიზმისა და ჩინეთცენტრიზმის აღორძინებას.

ლიტ. Быков Ф. С., Зарождение общественно-политической и философской мысли в Китае, М., 1966; Васильев В. П., Религии Востока. Конфуцианство, буддизм и даосизм, СПб., 1873.

გ. რუსია. ლ. მანიავა.

კონქი (ბერძნ. konchē—ნიჟარა), ნახევარგუმბათი, რ-საც იყენებენ შენობათა ნახევრადცილინდრული ნაწილების გადასახურად (აფსიდი, ნიში). თავდაპირველად გაჩნდა აღმოსავლურ-ელინისტურ არქიტექტურაში, ფართოდ იყენებდნენ რომაულ და ბიზანტ. ხუროთმოძღვრებაში, შუა საუკუნეთა ქრისტ. საკულტო ნაგებობებში. კ-ს ხშირად ამკობდნენ მოზაიკით ან მოხატულობით, რ-ებზეც გამოსახული იყვნენ ღვთისმშობელი ან სხვა. ქრისტიანი წმინდანები.

კონქოიდა (<ბერძნ. konchoeidēs—ნიჟარის მსგავსი), ბრტყელი *წირი*.

კონჩალოვსკი პეტრე პეტრეს ძე [9 (21). II. 1876, სლავიანსკი, ახლანდ. დონეცკის ოლქი, უკრ. სსრ, — 2. II. 1956, მოსკოვი], საბჭ. ფერმწერი, რსფსრ სახ. მხატვარი (1946), სსრკ სამხატვრო აკად. ნ. წ. (1947). სწავლობდა პარიზის ჟიულიანის აკადემიასა (1897—98) და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1898—1907). ცხოვრობდა მოსკოვში. მხატვართა გაერთიანება „ბუბნოვი ვალეტის" ერთ-ერთი ფუძემდებელი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. ადრინდ. პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: გ. იაკულოვის პორ-

ტრეტი, 1910; „მშრალი საღებავები", 1912; „ავავა", 1916 (ყველა ტრეტიაკოვის გალერეა). ოქტ. რევ. შემდეგ კ-ს მანერა უფრო უშუალო, რეალისტური გახდა („თამბაქოს ფოთლები", 1929, კ-ს ოჯახის კოლექცია; „იასამანი", 1933; „პური, ლორი და ღვინო", 1948, — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა). კ-ს პორტრეტთაგან ზოგი გამოხატავს სიცოცხლის ხალისს (ო. კონჩალოვსკაიას პორტრეტი, 1925, ტრეტიაკოვის გალერეა), ზოგი ღრმა ფსიქოლ. დრამატიზმით არის გამსჭვალული (ვ. მეიერხოლდის პორტრეტი, 1938, ავტოპორტრეტი, 1943; ორივე ტრეტიაკოვის გალერეა). სსრკ სახელმწ. პრემია (1943). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლიტ.: Нейман М. Л., П. П. Кончаловский, М., 1967.

კონჩერტო გროსო (იტალ. cóncerto grosso, სიტყვასიტყვით — დიდი კონცერტი), საანსამბლო-საორკესტრო მუსიკის ჟანრი XVII—XVIII სს-ში. კონცერტის ნაირსახეობა. წარმოიშვა XVII ს. იტალიაში. კ. გ-ს საკრავები 2 სახისაა: საკრავების ძირითადი ჯგუფი (tutti) და სოლოს შესასრულებელი საკრავების მცირე ანსამბლები (concertino). ამ ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებთა ავტორებია: ვივალდი, კორელი, ბახი, ჰენდელი და სხვ. XX ს-ში ძვ. მუსიკისადმი ინტერესის გაძლიერებასთან დაკავშირებით კვლავ მიმართავენ კ. გ-ს (რეგერი, ქშენეკი, სტრავინსკი და სხვ.).

კონცენტრატები კვების მრეწველობაში, გამომშრალი მცენარეული (ბოსტნეული, ხილი, მარცვლეული) და ცხოველური (ხორცი, რძე, თევზი) პროდუქტების ნარევი, რ-საც დამატებული აქვს ცხიმი, შაქარი, სუნელ-სანელებელი. კ-გან სწრაფად და ადვილად მზადდება სხვადასხვა საჭმელი. მაგ., სუპი (ბოსტნეულის, პარკოსნების, რძის), ფაფები, რაგუ, ომლეტი, კისელი, ჟელე, კრემი და სხვ. აგრეთვე სპეც. კერძები ბავშვებისათვის. ბურღულეულის მომზადებისას პარკოსნებს, ბოსტნეულს და სხვა პროდუქტებს თერმულად ამუშავებენ (ხარშვა, დაორთქლვა, ბლანშირება). თანამედროვე ტექნოლ. მეთოდები საშუალებას იძლევა ბურღულეულისაგან კერძები დავამზადოთ ხარშვის გარეშე, საჭიროა მხოლოდ მდუღარე წყლის დასხმა და მცირეოდენი დაყოვნება. კ-ში შემავალი ზოგიერთი პროდუქტის გაუწყლოებისათვის მიმართავენ შედარებით პროგრ. მეთოდს — *სუბლიმაციურ შრობას*. კვებითი ღირებულებისა და გემოვნური თვისებების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა კ-ს უმატებენ მცენარეული და ცხოველური ნედლეულისაგან ჰიდროლიზის შედეგად მიღებულ ცილოვან პროდუქტებს. ყველა კ-ს უშვებენ ბრიკეტის ან ფხვნილის სახით.

კ-ია აგრეთვე შვრიისა და სიმინდის ფანტელები, სიმინდის ჩხირები, შემწვარი კარტოფილი, ფქვილიანი ნაზავები კექსისათვის და სხვ. კ-ის შენახვა შეიძლება 20°C ტემპ-რაზე და 75%-მდე ფარდობითი ტენიანობის პირობებში. ინახება 12-თვემდე.

სხვა საკვებ პროდუქტებთან შედარებით კ-ს აქვს რიგი უპირატესობანი (მცირე მასა, დიდი კალორიულობა, შენახვისა და ტრანსპორტირების მოხერხებულობა, სწრაფად გამოყენების შესაძლებლობა და სხვ.).

კონცენტრატი (გვიანდ. ლათ. concentratus — თავმოყრილი, კონცენტრირებული), სამთო წარმოებაში, სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების შედეგად მიღებული პროდუქტი. იგი უფრო მეტი რაოდენობით შეიცავს ძვირფას კომპონენტს, ვიდრე საწყისი ნედლეული. მოპოვებული სამთო მასის გამოყენება და გადამუშავება ხშირად მიზანშეუწონელია, ხოლო ტექნიკურად ზოგჯერ შეუძლებელიც არის. კ. კი ამ მხრივ უფრო ხელსაყრელი პროდუქტია. იგი სამგვარია: პირველადი (რ-საც გამდიდრება სჭირდება), კოლექტიური (რამდენიმე კომპონენტის შემცველი) და სასრული.

კ-ის ხარისხი ნორმირებულია სახელმწ. სტანდარტით ან ტექ. პირობებით.

კონცენტრატორი სატელეგრაფო, საკომუტაციო მოწყობილობა, რ-ის დანიშნულებაა ტელეგრაფის აპარატების რიცხვის შემცირება (ტელეგრაფში შემავალი ხაზების რაოდენობასთან შედარებით) და ტელეგრაფისტთა შრომისნაყოფიერების გაზრდა; იყენებენ მცირედ დატვირთულ ხაზებზე. განასხვავებენ ავტომატურსა და ხელით სამართავ კ-ებს.

მარტივი კ. შედგება ტელეგრაფის საკვანძო სადგურში შემავალი ხაზების შესაბამისი რაოდენობის გასაღებებისა და სასიგნალო ნათურებისაგან, აგრეთვე ორი წრედისაგან (რ-ებშიც ადგილ. ტელეგრაფის აპარატებია ჩართული).

კონცენტრაცია [გვიანდ. ლათ. concentratio<ლათ. con (cum) — ერთად და centrum — შუაგული, ცენტრი], რისიმე თავმოყრა, შეჯგუფება, გაჯერება.

კონცენტრაცია ქიმიაში, სიდიდე, რ-იც ფიზიკურ-ქიმ. სისტემაში (ნარევები, ხსნარები, შენადნობები) გამოსახავს მოცემული კომპონენტის ფარდობით რაოდენობას. არსებობს კ-ის გამოსახვის სხვადასხვა ხერხი, მაგ.: წილური კ. მასის მიხედვით (წონითი წილური კ.) — მოცემული კომპონენტის მასის შეფარდება მთელი სისტემის მასასთან; მოლური კ. — მოცემული კომპონენტის მოლების რიცხვის ფარდობა სისტემის მოლების საერთო რიცხვთან; მოცულობითი წილური კ. — მოცემული კომპონენტის მოცულობის ფარდობა სისტემის საერთო მოცულობასთან. კ. შეიძლება აგრეთვე გამოისახოს პროცენტობით მასის, მოცულობის და სხვ. მიხედვით. იხ. აგრეთვე *ხსნარის მოლურობა, ხსნარის მოლულობა* და *ხსნარის ნორმალურობა*.

პრაქტიკაში კ-ის განსასაზღვრავად იყენებენ რაოდენობით ანალიზსა და ე. წ. ინსტრუმ. მეთოდებს.

ლიტ.: Аносов В. Я., Погодин С. А., Основные начала физико-химического анализа, М.—Л., 1947.

კონცენტრული საკვები, საკვები, რ-იც დიდი რაოდენობით შეიცავს საყუათო ნივთიერებებს. კ. ს-ს განეკუთვნება მარცვლოვანი და პარკოსანი მცენარეების მარცვალი, ტექ. წარმოების ზოგიერთი ნარჩენი, კომბინირებული და ცხოველური წარმოშობის საკვები. იმის მიხედვით, თუ რა საყუათო ნივთიერებებს შეიცავს, განასხვავებენ კ. ს-ს 2 ჯგუფს — ნახშირწყლოვანსა და პროტეინოვანს. ნახშირწყლოვან საკვებს განეკუთვნება სახამებლითა და შაქრით მდიდარი მარცვლეული (შვრია, ქერი, სიმინდი და სხვ.), წისქვილის ნარჩენი (ქატო, მარცვლის ნატეხები, ხრილი), შაქრის ჭარხლის და სახამებლის წარმოების გამშრალი ნარჩენები (ჟენჟო, დღლაბი, ბუყი) და სხვ. 1 კგ. ასეთ საკვებში 0,7—1,3 საკვები ერთეული და 70—150 გ მონელებადი პროტეინია. პროტეინოვან კ. ს-ს განეკუთვნება პარკოსანი კულტურების მარცვლეული (ბარდა, ცერცვი, სოია და სხვ.), კოპტონი და შვრია; ხორცის, ხორცქონილის და სისხლის ფხვნილი; თევზის ფხვნილი და საკვები საფუარები. ამ სახის 1 კგ საკვებში 0,7—1,2 საკვები ერთეული და 180—400 გ მონელებადი პროტეინია. მეცხოველეობის ინტენსიფიკაციასთან დაკავშირებით იზრდება კ. ს-ის ხვ. წ., რაც უფრო მაღალია ცხოველის პროდუქტიულობა, მით უფრო მეტია კ. ს-ის, ხვედრითი წილი ულუფაში. კ. ს-ის ხვ. წ. თანამედროვე ინტენს. მეღორეობაში შეადგენს 70—85%-ს, მეფრინველეობაში 85—90%-ს.

ს. ერქომაიშვილი.

კონცეპტიზმი, კონსეპტიზმი (ესპ. conceptismo < concepto — აზრი, ცნება), XVII ს. ესპანურ ლიტერატურაში ბაროკოს სტილის განშტოება, რ-საც სათავე დაუდო პოეტმა ბუტრაგომ. კულტერანიზმის (იხ. *გონგორიზმი*) „ბნელ სტილს" დაუპირისპირა „ძნელი სტილი". გამოსახვის საშუალებათა კულტერანისტული სირთულე და დახლართულობა კ-მა შეცვალა თვით ნაწარმოების სირთულით. ეს ანტიგონგორისტული პოზიცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა *კევედო ი ვილიეგასისა* და *გრასიან ი მორალესის* შემოქმედებაში. პოლემიკური სიფიცხის მიუხედავად, ბაროკოს სტილის საფუძველზე აღმოცენებული ეს განშტოებანი ერთიმეორეს ითავსებდნენ. მ. შ. საერთო იყო ინტერესი ნაწარმოების აღქმის სირთულისადმი (როგორც ესთეტ. ფაქტორისადმი). ტიპოლოგიურად კ. საერთო მოვლენაა როგორც ესპანური, ისე ინგლისური, იტალიური, გერმანული და სხვ. ლიტერატურისათვის.

ბაროკოს სტილის განვითარებაში გამოვლენილ პოლემიკას „ბნელი" და „ძნელი" სტილის გარშემო ერთგვარი ანალოგი მოეძებნება ამავე ეპოქის ქართ. ლიტერაში როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. თეიმურაზის „ბნელი სტილის" საწინააღმდეგოდ პირველად ხმა აიმაღლა არჩილმა. „გაბაასების" მიხედვით, „თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს". „ლექსნი ასეულნის" შესავალშივე იგი საეჭვოდ ხდიდა ლექსის თარგმნის, გაშიფვრის გზით ამოცნობის თეიმურაზისეულ პრინციპს: „მაგრა რა სიამოვნე აქვს, თუ კაცმა ვერ გამოიცნოს?" მისი აზრით, პოეზია უნდა იყოს არა ბნელი, არამედ „ძნელოვანი" („ძნელოვანიც მისვე სიტყვით საამოვნოდ შეტყობილი"). ასეთივე ბრძოლა გამოუცხადა არჩილმა პოეზიაში ქართ. ენის თეიმურაზისეულ ბარბარიზაციას. მაგრამ ეს მოთხოვნა მის შემოქმედებაში დეკლარაციის დონეზე დარჩა. ვახტანგ VI-ის მიხედვით, პოეზია ელიტარულია, უნდა იქმნებოდეს „ენა მძიმებით" და მის გასაგებად „სახმარ არს ყურნი სმენად და გული გამოკვლევად." ამრიგად, რუსთაველურ პრინციპს „თქვან ნათლად" აშკარად უპირისპირდება ლექსის იგავურობის და გადმოთარგმნა-ამოცნობის პრინციპი. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა დ. გურამიშვილის ტაეპი: „სცნა ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!"

ლიტ.: გაჩეჩილაძე გ., ბაროკოს პრობლემა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანები, «ლიტერატურული საქართველო», 1972, 21, 28 ივლ., № 28,30; Келли Дж., Испанская литература, М.—П., 1923; Менендес Пидаль Р., Избр. произведения. Испанская литература средних веков и эпохи Возрождения, пер. с исп., М., 1961. *გ. გაჩეჩილაძე.*

კონცეპტუალიზმი (<ლათ. conceptus— აზრი, ცნება), უნივერსალიების პრობლემის ერთ-ერთი კონცეფცია სქოლასტიკურ შუასაუკუნეების ფილოსოფიაში, რ-საც შუალედური პოზიცია უკავია რეალიზმსა და ნომინალიზმს შორის. წარმოიშვა XI—XII სს-ში. კ. ცდილობდა ერთმანეთთან შეეთავსებინა უნივერსალიების ორნაირი გაგება: ონტოლოგიური (პლატონისეული), რ-იც ასაბუთებდა ზოგადის (ერთიანის) რეალურ-ობიექტურ არსებობას ერთეულ საგნებამდე და მათ გარეშე, და მეთოდოლოგიური (არისტოტელესეული), ზოგადის, როგორც დასაბუთების საფუძველის შესახებ. ამ პრობლემების კონცეპტუალისტური გადაწყვეტის კლასიკური ნიმუშია პ. *აბელარის* უნივერსალიების თეორია. გვიანდ. სქოლასტიკაში უნივერსალიების ამგვარ გაგებასთან ახლოს იყო *იოანე დუნს სკოტუსისა* და *თომა აკვინელის* თვალსაზრისები.

თანამედროვე პირობებში კ. აღარ წარმოადგენს ფილოს.-თეოლ. დოქტრინას, არამედ არის შემეცნების თეორიის ერთ-ერთი პრინციპი, რ-ის მიხედვითაც ზოგადი განიხილება როგორც აბსტრაქციის პროდუქტი.



ნახ. 3.
კუთხის გვერდების პარალელური ნახევარწრეები ამ დროს გარდაისახება O′-სათავის მქონე ნახევარპარაბოლებში (ნახ. 3), აღსანიშნავია, რომ კუთხეები, რომელთა წვეროები O წერტილშია, იცვლება (დიდდება ორჯერ); ეს არ ეწინააღმდეგება კონფორმულ ასახვას, ვინაიდან O წერტილი არ წარმოადგენს არის შიგა წერტილს.

კონჭი. ბოჭორმის ეკლესია. X ს.

პ. კონჩალოვსკი.

ლიტ.: Виндельбанд В., Введение в философию, пер. с нем., М., 1908.

კონცერნი (ინგლ. concern), მონოპოლისტური გაერთიანებების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა, რ-იც ხასიათდება საკუთრებისა და კონტროლის ერთიანობით. კ. აერთიანებს მრეწვ. სხვადასხვა დარგის საწარმოებს, სავაჭრო ფირმებს, ბანკებს, სატრანსპ. და საფინანსო კომპანიებს. იმპერიალიზმის განვითარების დასაწყისში ცალკეული კაპიტალ. ქვეყნებისათვის დამახასიათებელი იყო მონოპოლიების ესა თუ ის ფორმა. კ-ები პირველად წარმოიშვა 1914—18 გერმანიაში. II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ მეცნ.-ტექ. რევ. გავლენით ეკონ. განვითარების უთანაბრობისა და კაპიტალ. მონოპოლიებს შორის კონკურენციული ბრძოლის გამწვავების შედეგად აღმოცენდა მონოპ. გაერთიანებათა ახ. ფორმები, უპირატესად მრავალდარგობრივი კ-ები. ომის შემდგომ წლებში გაიზარდა საერთაშ. კ-ების რიცხვი. თანამედროვე კ. განსხვავდება XX ს. დასაწყისში არსებული კ-გან არა მარტო თავისი ბრუნვისა და ოპერაციების სიდიდით, არამედ იმ ორგანიზაციული ფორმებითაც, რ-თა საფუძველია მეცნ. მეთოდები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენება და სხვ. კ-ები განსაზღვრავს მეურნეობის ძირითადი დარგების განყითარების გზებს, რადგან მათ წილად მოდის კაპიტალ. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი. კ. აწარმოებს საქონლისა და კაპიტალის ექსპორტს, აშენებს ქ-ნებს, ქმნის კომპანიებს სხვა ქვეყნებში, ამყარებს კავშირს არსებულ კ-ებს შორის.

ბურჟ. აპოლოგეტები ცდილობენ კ. წარმოადგინონ, როგორც პროგრ. და ეფექტური ორგანიზაციის ფორმა. თანამედროვე პირობებში კ-ის საქმიანობა ხელს უწყობს მონოპოლიზაციის შემდგომ პროცესს, მსხვილ კერძო მესაკუთრეთა გამდიდრებას, აგრეთვე სპეკულაციას და საბირჟო მაქინაციებს (იხ. აგრეთვე *კაპიტალისტური მონოპოლიები*).

კონცერტი (გერმ. Konzert, იტალ. concerto), მუსიკალური ნაწარმოები რომელიმე სოლო საკრავისათვის ორკესტრის თანხლებით. კ-ის ნაირსახეობანია: *კონჩერტო გროსო*, საკონცერტო სიმფონია (იხ. *სიმფონია*), კ. ერთი საკრავისათვის (უორკესტროდ), კ. ხმისათვის (ხმებისათვის) ორკესტრთან ერთად, კ. გუნდისათვის ა კაპელა. კ. იწერება სონატური ფორმის პრინციპით და შედგება 3 ნაწილისაგან; გვხვდება კ-ები, 2, 3 ან 4 სოლისტისათვის ორკესტრის თანხლებით და კ. ორკესტრისათვის უსოლისტოდ. კლასიკური სკოლის კ-ის თავისებურებებია პირველ ნაწილში 2 ექსპოზიციის (საორკესტრო და სოლო) არსებობა და ე. წ. კადენცია—ბრწყინვალე სოლო იმპროვიზაცია რეპრიზის ან კოდის წინ. ცნობილია კ-ები ფორტეპიანოსათვის (ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, შოპენი, ლისტი, ჩაიკოვსკი, რახმანინოვი, სკრიაბინი, პროკოფიევი, ა. ბალანჩივაძე, ო. თაქთაქიშვილი და სხვ.), ვიოლინოსათვის (მოცარტი, ბეთჰოვენი, მენდელსონი, ბრამსი, პაგანინი, ჩაიკოვსკი, გლაზუნოვი, შოსტაკოვიჩი, ა. ხაჩატურიანი, ა. მაჭავარიანი და სხვ.), ჩელოსათვის — (ჰაიდნი, შუმანი, დვორჟაკი, სენსანსი, მიასკოვსკი, შოსტაკოვიჩი და სხვ.).

კონცერტი, მსახიობთა საჯარო გამოსვლა გარკვეული, წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით. კ-ის სახეებია: მ უ ს ი კ ა ლ უ რ ი (სიმფონიური, კამერული, საფორტეპიანო, სავიოლინო და სხვ.), ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ე ლ ი (ძმატვრული კითხვა), ს ა ე ს ტ რ ა დ ო (მსუბუქი ვოკალური და საკრავიერი მუსიკა, იუმორისტული მოთხრობები, პაროდიები, საბალეტო, საცირკო ნომრები და სხვ.). XVIII ს-მდე სასახლის კარზე და დიდებულთა სახლებში მოპატიჟებულთათვის დახურული კ-ები იმართებოდა. ბურჟ. კულტურის ზრდამ საყოველთაოდ მისაწვდომი ფასიანი კ-ების შემოღება გამოიწვია. კ-ში შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე ან ერთი (სოლო კ.) შემსრულებელი. სსრკ-ში კ-ის ორგანიზაციას განაგებს საგასტროლო-საკონცერტო გაერთიანებები — სახკონცერტი, მოსკონცერტი, რესპ. და საოლქო ფილარმონიები; კაპიტალ. ქვეყნებში — კერძო პირი, საქმოსანი (ანტრეპრენიორი, იმპრესარიო, მენეჯერი).

კონცერტინო (იტალ. concertino, სიტყვასიტყვით — პატარა კონცერტი), 1. საკონცერტო შესრულებისათვის განკუთვნილი მცირე მასშტაბის თხზულება სოლისტისათვის ორკესტრის თანხლებით. 2. სოლო საკრავთა ჯგუფი *კონჩერტო გროსოსა* და საკონცერტო სიმფონიაში. 3. პნევმატური მუს. საკრავი—გარმონი, რ-საც აქვს ქრომატული ბგერათრიგი და არ გააჩნია მზა აკორდები. გამოიგონეს XIX ს. I ნახევარში (ჩ. უიტსტონის პატენტი, ლონდონი, 1829). არსებობს კ-ს 5 ნაირსახეობა—პიკოლოდან კონტრაბასამდე. ყველაზე გავრცელებულია პრიმა კ-ს ზომა 150—180 *მმ*. კ-ს კორპუსი 6 ან 8 წახნაგიანია. დიაპაზონი 2—4 ოქტავა; იხმარება როგორც სოლო და საორკესტრო საკრავი.

კონცერტმაისტერი (გერმ. Konzertmeister), 1. ორკესტრის პირველი მევიოლინე, რ-იც ასრულებს ვიოლინოს სოლოს და ზოგჯერ რეპეტიციებზე ცვლის დირიჟორს. XVIII ს-ში საკრავიერ კაპელებში კ. დირიჟორის ფუნქციას ასრულებს. 2. ორკესტრის ერთ-ერთი სიმებიანი ჯგუფის (ალტების, ჩელოების, კონტრაბასების პირველი შემსრულებელი). 3. პიანისტი, რ-იც აკომპანიმენტს უკეთებს მომღერალს საკონცერტო გამოსვლებში და ეხმარება მას პარტიის შესწავლაში.

კონცესია (ლათ. concessio — ნების დართვა, დათმობა), ხელშეკრულება იმ ბუნებრივი სიმდიდრის, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ობიექტების გარკვეული პირობებით საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ, რ-იც ეკუთვნის სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტს. კაპიტალ. ქვეყნებში მონოპოლიები კ-ებს იყენებდნენ, როგორც სუსტად განვითარებული ქვეყნების ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმას. სახელმწ.-მონოპ. კაპიტალიზმის პირობებში კ-ის დანიშნულებაა გააერთიანოს სახელმწ.-აპარატი ფინანს. კაპიტალთან. იმპერიალიზმის განვითარების ეპოქაში ფართოდ გავრცელდა საერთაშ. კ-ები, რ-ებიც სუსტად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონ. და პოლიტ. დამონების ერთ-ერთი ხერხია. ამის მაგალითია ნავთობის კ-ები ახლო აღმოსავლეთის, ჩრდ. აფრ. და სხვა ქვეყნებში. კ-ით მოპოვებული უფლებების დადგენა მსხვილი მონოპ. გაერთიანებების მიერ ხანგრძლივი პერიოდით ხდება, მაგ., „ბაჰრეინ პეტროლეუმ კომპანის" ვადაა 91 წელი, „კუვეიტ ოილ კომპანისა" — 92 წელი. საკონცესიო ხელშეკრულებანი ქვეყნებს ფართო უფლებებს ანიჭებს როგორც სიმდიდრეთა მოსაპოვებლად, ასევე კავშირგაბმ., აეროდრომებისა და ნავსადგურების შესაქმნელად. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ზრდამ ახლო აღმოსავლეთის აფრ. და აზიის ქვეყნებში გამოიწვია უფლებათა ზოგიერთი ცვლილება კ-ის პირობებში, რამაც ამ ქვეყნებს თავისი სწრაფადგანვითარებული ეკონ. განმტკიცების უფრო მეტი შესაძლებლობა მისცა.

სსრკ-ში კონცესიური პოლიტიკა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში სხვაგვარ ხასიათს ატარებდა. 1920 წ. 23 ნოემბ. დეკრეტით კ-ეაი ნებადართულ იქნა, რათა სუსტად განვითარებული დარგებისათვის მიეზიდათ უცხ. კაპიტალი. ახალგაზრდა საბჭ. სახელმწიფოს კონცესიური პოლიტიკა მიმართული იყო სახ. მეურნ. იმ დარგების განვითარებისაკენ, რ-ებიც აწარმოებენ წარმოების საშუალებებს. ყველა კონცესიური საწარმო განლაგებული იყო რსფსრ და საქართვ. ტერიტ-ზე.

მხსვილი კ-ები რსფსრ ტერიტორიაზე მოიპოვებდნენ ნავთობს, ქვანახშირს, აწარმოებდნენ ფერად ლითონებს და ბურთულასაკისრებს, ხოლო საქართვ. ტერიტორიაზე აშშ-ის აქციონერული საზ-ბა მოიპოვებდა მანგანუმს.

საკონცესიო ხელშეკრულებებით უცხ. კაპიტალის დაბანდებებმა სსრკ სახ. მეურნეობაში 200 მლნ. მანეთს (ოქროთი) მიაღწია. 1937 დასასრულისათვის ორივე მხარის თანხმობით ყველა საკონცესიო ხელშეკრულება გაუქმდა.

კონცეფცია (ლათ. conceptio — გაგება, სისტემა), რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის გაგების, განმარტების გარკვეული წესი, ძირითადი თვალსაზრისი, მათი სისტემატური ანალიზის სახელმძღვანელო იდეა. ტერმინ „კ-ს" ხმარობენ აგრეთვე ადამიანთა ძირითადი ჩანაფიქრის, კონსტრ. პრინციპის აღსანიშნავად ხელოვნებაში, ტექნიკასა და სხვ. დარგებში.

კონცხი, ზღვაში, ტბაში ან მდინარეში შეჭრილი ხმელეთის სანაპიროს ნაწილი. აგებულია მკვიდრი ქანებით ან ნატანით.

კონჯკათი, სოფელი ლანჩხუთის რ-ნში (მამათის სოფსაბჭო), მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 270 *მ*, ლანჩხუთიდან 17 *კმ*. მამათის კოლ-ბა (მეჩაიეობა). დაწყ. სკოლა. საშ. სკოლა სოფ. მამათში (3 *კმ*).

კონჯკათი, სოფელი მახარაძის რ-ნში, მდ-ების ნატანებისა და სუფსის წყალგამყოფი ნასაკირალის სერის ჩრდ. კალთაზე, მდ. სუფსის ხეობაში. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., განთიადი). ზ. დ. 120 *მ*, მახარაძიდან 15 *კმ*, მერეიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა). საშ. სკოლა, 4 სეზონური საბავშვო ბაგა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), ამბულ., აფთიაქი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კონჭოშვილი პეტრე დავითის ძე (1836 — 5. II. 1909), ქართველი საეკლესიო მოღვაწე. თბილ. სას. სემინარიის დამთავრების შემდეგ მღვდლად იყო საინგილოში, იქიდან ოსეთში გადაიყვანეს, შემდეგ ამიერკავკ. ქალთა ინ-ტში საღვთო სჯულს ასწავლიდა. 1899 აალავერდის კათედრაზე ეპისკოპოსად გააწესეს. მონაწილეობდა საღვთო წიგნების, მ. შ. ბიბლიის ქართ. ტექსტის შესწორებასა და ბეჭდვაში. 1899 იმოგზაურა იერუსალიმში. თავისი მოგზაურობა აღწერა წიგნში: „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ" (თბ., 1901). დასაფლავებულია ალავერდის ტაძარში.

კონჰაიმი (Cohnheim) იულიუს ფრიდრიხ (20. VII. 1839, დემინი, პომერანია,— 15. VIII. 1884, ლაიფციგი), გერმანელი პათოლოგი. სწავლობდა ვიურცბურგის, მარბურგის, გრაიფსვალდისა და ბერლინის უნ-ტებში. 1864 იყო რ. *ვირხოვის* ასისტენტი. პათოლ. ანატ. პროფესორი კილში (1868-იდან), ბრესლაუში (ამჟამად ვროცლავი; 1872-იდან), ლაიფციგში (1878—84). კ-ის ძირითად შრომაში—ზოგადი პათოლოგიის კურსი, განხილულია სიმსივნის წარმოშობის საკითხი, ე. წ. „ჩანასახოვანი თეორია". ამ თეორიის თანახმად სიმსივნე წარმოიქმნება ემბრიონული ნერგიდან, რ-იც „დაუხარჯავი" რჩება ჩანასახის ჩასახვისა და ზრდის პერიოდში; შემდგომში ირგვლივ მყოფი ქსოვილების ცხოველმოქმედების დასუსტებისას ეს უჯრედები იწყებენ სწრაფად გამრავლებას. კ-მა დაამუშავა აგრეთვე ანთების სისხლძარღვოვანი თეორია, ინფარქტის პათოგენეზი და სხვ. კ-ის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა პათოლ. განვითარებაზე.

თხზ.: Общая патология, т. 1—2, СПб., 1878—81.

კოონენი ალისა გიორგის ასული [5 (17). X. 1889, მოსკოვი, — 20. VIII 1974, იქვე], რუსი საბჭ. მსახიობი. რსფსრ სახ.

არტისტი (1935). დაამთავრა მოსკ. სამხატვრო თეატრის სკოლა, 1905—13 გამოდიოდა ამავე თეატრის დასში. შეასრულა მიტილის (მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი"), მაშას (ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში", 1911), ანიტრას (იბსენის „პერ გიუნტი") როლები. შემდეგ ერთი წელი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის დაარსებულ მოსკ. თავისუფალ თეატრში. 1914—49 ძირითადად იყო კამერული თეატრის წამყვანი მსახიობი. სახელი გაითქვა, როგორც ტრაგიკულმა მსახიობმა. ჰ-ის შემოქმედებას ახასიათებდა ღრმა ინტელექტუალობა, დახვეწილი დიქცია, პლასტ. გამომსახველობითობა, სცენური მოძრაობის სრულყოფილი კულტურა. როლები: ფედრა (რაცინის ამავე სახელწოდების პიესაში, 1922), კომისარი (ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", 1933), კატერინა, კრუჩინინა (ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი", „უდანაშაულო დამნაშავენი")და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

კოოპერაცია (ლათ. cooperatio — თანამშრომლობა), 1. შრომის ორგანიზაციის ფორმა, რ-ის დროსაც ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ერთობლივად და გეგმაზომიერად მონაწილეობს შრომის ერთისა და იმავე ან სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ პროცესებში (იხ. *შრომის კოოპერაცია*). 2. მუშების, წვრილი მწარმოებლების, მათ შორის გლეხების, მოსამსახურეების ურთიერთდახმარების ორგანიზაციულად გაფორმებულ ნებაყოფლობით გაერთიანებათა ერთობლიობა საერთო მიზნების მისაღწევად ეკონ. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

კოოპ. გაერთიანებათა ძირითადი სახეებია: *საწარმოო კოოპერაცია, საკრედიტო კოოპერაცია, საბინაო კოოპერაცია, სამომხმარებლო კოოპერაცია, სარეწაო კოოპერაცია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.* ჰ-ის თითოეულ სახეს თავისი ფორმა აქვს. მაგ., მიწის ერთობლივად დამუშავების, მანქანების ერთობლივად გამოყენების ამხანაგობანი, კომუნები, არტელები (კოლმეურნეობები), აგრეთვე შემნახველ-გამსესხებელთა ამხანაგობანი, „სასოფლო ბანკები", მუშათა სალაროები (საწარმოო სას.-სამ. კოოპერატივების შიგნით,) საკრედიტო ასოციაციები (საკრედიტო კოოპერატივების შიგნით) და ა. შ.

კოოპერატივებს განასხვავებენ საქმიანობის სფეროს მიხედვით: საწარმოო (ჰ-ის უმაღლესი ფორმა) – წარმოების სფეროში; სამომხმარებლო, გამსაღებელთა, მომმარაგებელთა და სხვ. (ჰ-ის უდაბლესი ფორმა) — მიმოქცევის სფეროში; საქმიანობის დარგების მიხედვით: გასაღების (გამსაღებელთა ჰ.), მომარაგების (მომმარაგებელთა ჰ.), კრედიტის (საკრედიტო ჰ.), ვაჭრობის (სამომხმარებლო ჰ.) და ა. შ.; სოც. კლასობრივი ნიშნის მიხედვით: მუშათა, გლეხთა (ფერმერთა), შინამრეწველ-ხელოსანთა და შერეულ (საერთო წოდებრივ ჰ-ს); ტერიტ. ნიშნის მიხედვით — საქალაქოსა და სასოფლო ჰ-ის სახსრები უმთავრესად იქმნება საპაიო და საწევრო შენატანების, აგრეთვე სამეურნეო საქმიანობისაგან მიღებული მოგების ხარჯზე (საწარმოო ჰ-ში კოოპერატივის წევრთა ძირითადი წარმოების საშუალების განსაზოგადოების შედეგად).

ჰ-ის არსს, ადგილსა და როლს საზ.-ეკონ. ფორმაციაში განსაზღვრავს გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობანი. ამის მიხედვით განასხვავებენ კაპიტალ. და სოციალ. ჰ-ებს. კაპიტალ. ჰ. აღმოცენდა XIX ს. შუა წლებში კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე. იგი იყო საქონელმწარმოებლებისა და მომხმარებლების საბაზრო-კაპიტალ. ურთიერთობათა სისტემაში ჩაბმის ერთ-ერთი საშუალება და იმავდროულად მათი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა ყველა ჯურის შუამავალთა (ჩარჩ-ვაჭრების, მევახშეების და მსხვილი მეწარმეების) ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

საქართველოში პირველი კოოპ. ორგანიზაციები გასული საუკუნის 70—80-იან წლებში აღმოცენდა. ეკონ. პირობების გარდა, რაც კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებთან იყო დაკავშირებული, საქართველოში კოოპ. ორგანიზაციების დაარსებაში დიდი როლი შეასრულეს გაზეთებმა „დროებამ" „ივერიამ" და პუბლიცისტებმა: ი. ჭავჭავაძემ, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და სხვ. რ-ებიც არა მარტო ქადაგებდნენ ჰ-ის იდეებს, არამედ მონაწილეობდნენ კიდეც კოოპ. ორგანიზაციების დაარსებაში, წესდებათა შედგენაში, ხელისუფლების ორგანოებისაგან ნებართვის მიღებაში და სხვ.; პირველი კოოპ. ორგანიზაციები ძირითადად მომხმარებელთა, შემნახველ-გამსაღებელთა საზ-ბების და „სასოფლო ბანკების" სახით არსებობდა. კოოპერატივები, კოლექტ. კაპიტალ. საწარმოები, იყო და კაპიტალიზმის ეკონ. კანონების შესაბამისად ვითარდებოდა.

კოოპერატივების მოგებისა და კოოპ. საკუთრების ფორმირების ძირითადი წყაროა ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რ-ის რეალიზაცია მათი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ხდება და, რ-საც მათ მრეწველი კაპიტალისტი უთმობს. კაპიტალ. კოოპერატივების სათავეში საზ-ბის ბურჟ. ფენის წარმომადგენლები დგანან, რ-ებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მსხვილ კაპიტალ. მონოპოლიებთან, ბანკებთან, სახელმწ. აპარატთან, ბურჟ. პოლიტ. პარტიებისა და ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. მიუხედავად ამისა, კოოპერატივები განსხვავდება კერძოკაპიტალ. ფირმების, კომპანიების, მონოპ. გაერთიანებებისაგან იმით, რომ მათი ძირითადი მიზანია არა მაქს. მოგების მიღება, არამედ თავის წევრთა საწარმოო, სამომხმარებლო და სხვა ეკონ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. კოოპერატივები სააქციო საზ-ბებისაგან განსხვავებით აერთიანებს არა ყველას, ვისაც მისი პაის ან აქციის შეძენა შეუძლია, არამედ მხოლოდ მას, ვინც მისი მომსახურებით სარგებლობს, აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში და უზრუნველყოფს მის ფინანს. მოთხოვნილებას საპაიო შენატანით. კოოპერატივი მართვისა და მეურნ. გაძღოლის უფრო მეტი დემოკრატიულობით ხასიათდება. ჰ-ის ორგანიზაციათა უმრავლესობაში მეპაიეთა კრებებზე შეტანილი პაის რაოდენობისაგან დამოუკიდებლად ბატონობს პრინციპი — „ერთი წევრი — ერთი ხმა".

კოოპერატივი მოქმედებს როგორც კაპიტალ. საწარმოები და ამავე დროს მოსახლ. ფართო ფენების (მუშების, გლეხების, ფერმერების, შინამრეწვ.-ხელოსნების) მასობრივ ორგანიზაციად რჩება. იგი წარმოადგენს და იცავს მათ ინტერესებს. ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო ეხმარება ამა თუ იმ სახის კოოპერატივს (მეტწილად სას.-სამ. კოოპერატივებს). მაგ., აძლევს კრედიტს, უწევს საგადასახადო შეღავათს და ა. შ.

რევოლუციამდელ საქართველოში სოფლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ და მეფის მთავრობის მხრივ გლეხობისადმი კრედიტის მიცემამ ხელი შეუწყო სამომხმარებლო, საკრედიტო და სას.-სამ. ჰ-ის განვითარებას. 1910-იდან ძირეული საკრედიტო ორგანიზაციების ინტენს. დაფინანსების შედეგად ბევრგან საკრედიტო-საშუამავლო და სამომხმარებლო ფუნქციები ერთმანეთს შეერწყო. კრედიტის მიღებით დაინტერესებული გლეხობა, რ-საც სასაქონლო მეურნ. განვითარება სწყუროდა, ჰ-ში გაერთიანებას ცდილობდა. ამის შედეგად მრავალი სახის სას.-სამ. ამხანაგობა დაარსდა. მომხმარებელთა საზ-ბების, „სასოფლო ბანკების" და სხვათა გვერდით შეიქმნა მეხილეთა, მეღვინეთა, მეცხვარეთა, მეაბრეშუმეთა ამხანაგობები. მაგრამ ეკონ. მდგომარეობის გამო სამომხმარებლო, საკრედიტო და სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაციები ხშირად ერთმანეთის ფუნქციებში იჭრებოდნენ. მიუხედავად ამისა, საქართველოში ვითარდებოდა სამიევე სახის ჰ., რადგან იგი იმითავითვე პოპულარული იყო ქალაქისა და სოფ. მოსახლეობისათვის.

კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ლენინი კოოპერატივებს თვლიდნენ მშრომელთა გაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად და კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ რაზმად, ხოლო სოციალ. საზ-ბაში იგი მიაჩნდათ მეურნ. დამოუკიდებლად გაძღოლის სკოლად.

სოციალ. რევ. შედეგად წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების პირობებში ჰ. სოციალ. ხასიათს ღებულობს და მშრომელთა ფართო მასების, პირველ რიგში, გლეხობის გაერთიანებისა და სოციალ. მშენებლობაში მათი ჩაბმის მძლავრ საშუალებად იქცევა (იხ. *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*, ვ. ი. *ლენინის კოოპერაციული გეგმა*, *კოოპერირება*).

სოციალ. ქვეყნებში კოოპერატივების საქმიანობა სამეურნეო ანგარიშის საფუძველზეა აგებული და მიმდინარეობს გეგმის მიხედვით, რ-იც კოორდინირებულია საერთო-სახალხომეურნეობრივ გეგმასთან.

კოოპერატივების საქმიანობის ორგანიზაციული პრინციპები, მიუხედავად მათი საზ. ფორმისა, ზოგიერთი საერთო ნიშნით ხასიათდება. კოოპერატივების საქმიანობის რეგულირება ხორციელდება წესდების ან სხვა ნორმატიული დებულებების საფუძველზე, რ-ებშიც კოოპერატივების სახეობის მიხედვით არის განსაზღვრული კოოპერატივის წევრთა უფლებები და მოვალეობები, ფონდების წარმოქმნა და შემოსავლის განაწილება, შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება, მართვა, წარმოების საშუალებათა გამოყენება და სხვ.

ყოველი კოოპ. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება (მსხვილ კოოპერატივებში — რწმუნებულთა კრება), რ-იც ღებულობს წესდებას, ირჩევს გამგეობას, სარევიზიო კომისიას და სხვ. სახ. ორგანოებს. იგი წყვეტს სამეურნეო საქმიანობის ძირითად საკითხებს. საერთო კრებებს ან რწმუნებულთა კრებებს შორის პერიოდში კოოპერატივის საქმეებს ხელმძღვანელობს გამგეობა, რ-საც სათავეში უდგას თავ-რე. ზოგჯერ კოოპერატივები გაერთიანებულია კავშირებში, რ-თაც ყრილობა ირჩევს. ჰ., როგორც საზ. ორგანიზაცია, გულისხმობს კოოპერატივების, მათი კავშირების, სამეურნეო დაწესებულებების მართვისა და კონტროლის საქმეში მეპაიე წევრთა ფართო მასების მონაწილეობას (იხ. *კოოპერაციული მოძრაობა*).

ლიტ.: მარქსი კ., დამფუძნებელი მანიფესტი მუშათა საერთაშორისო ამხანაგობისა, მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1963; მისივე, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 1, თბ., 1959; ლენინი ვ. ი., კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. 1910 წ. 25 სექტ. (8 ოქტ.), თხზ., გამოც. მე-4, ტ. 16; მისივე, კოოპერაციის შესახებ, იქვე, ტ. 33; Бланк Г. Я., Кондратов В. П., Крамаровский Я. С., Международное кооперативное движение, М., 1965; Пронин С. В., «Демократический социализм» и проблема кооперативной социализации в Англии, М., 1964; Мисиэ, Что такое современный «кооперативный реформизм», [М.], 1961; Трапезников С. П., Ленинизм и аграрно-крестьянский вопрос, т. 1, М., 1967. *ს. ბოსიძე. ჯ. ჩხიკვაძე.*

„კოოპერაცია", ქართული სპეციალური კოოპერაციული ჟურნალი; გამოდიოდა 1911—17, 1918—19 ქუთაისში, ხოლო 1923—24 თბილისში („ჰ-ის" პერიოდულობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო). ჟურნალი აშუქებდა საზ.-ეკონ. საკითხებს; ბეჭდავდა წერილებს საქართველოში კოოპე-

რატივების ორგანიზების შესახებ, ცნობილ საზ. მოღვაწეთა და კოოპერატორთა ბიოგრაფიებს, ახალ ამბებს და სხვ. „Კ-ის“ დამატებები იყო „ილუსტრაციული დანართი“, „საკოოპერაციო ბრიშურები“, „საკოოპერაციო ბიბლიოთეკა“. რედ.-გამომცემელი—გ. გაბილაია. *ი. ლორთქიფანიძე.*

„ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ვ. ი. ლენინის სტატია. პირველად დაიბეჭდა 1923 წ. 26 და 27 მაისს გაზეთ „პრავდის“ № 115 და 116-ში ლენინის ხელმოწერით. სტატიაში ნაჩვენებია სოციალ. მშენებლობაში მშრომელი გლეხობის ჩაბმის გზები (იხ. ვ. ი. *ლენინის კოოპერაციული გეგმა*). ამ სტატიაში ლენინმა განაზოგადა კაპიტალიზმის პირობებში კოოპ. განვითარების თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი საკითხები, მიუთითა, რომ სოციალ. რევ. გამარჯვების შემდეგ „...რაც ძველ კოოპერატორთა ოცნებაში ფანტასტიკური იყო,... სრულიად შეუფერადებელ სინამდვილედ ხდება“ (თხზ., გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 551). ლენინმა გააანალიზა გარდამავალ პერიოდში კოოპ. სოც.-ეკონ. ევოლუციის ზოგადი ტენდენციები. ლენინის განსაზღვრით, კაპიტალიზმის დროს კოოპერაციას კაპიტალ. ხასიათი აქვს, „კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულებაა“, სოციალიზმის დროს კი როდესაც ძალაუფლება პროლეტარიატის ხელშია, როცა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფილია, როცა წარმოების ყველა ძირითადი საშუალება, მ. შ. მიწაც, სახელმწიფოს ხელშია, კოოპერაცია სოციალ. წამოწყებაა. ამ პირობებში კოოპერაცია მსხვილ კოლექტ. მეურნეობებად გლეხების გაერთიანების ყველაზე ხელმისაწვდომი ფორმაა. „...კოოპერაცია, მარტოოდენ კოოპერაცია, — აღნიშნავდა ლენინი, — რომელსაც წინათ აბუჩად ვიგდებდით როგორც ჩარჩულ ორგანიზაციას.. განა ყოველივე ეს ის არ არის, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად?“ (იქვე, გვ. 552). ლენინმა სტატიაში წამოაყენა სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნის იდეა გლეხობის საწარმოო კოოპერირების საფუძველზე. წვრილგლეხური წარმოების კოოპერირება ყველაზე ძნელი ამოცანაა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ სოციალ. სახელმწიფოს მხრივ უდიდესი დახმარებით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლენინის მოწოდებას: „მთელი რიგი ეკონომიური, ფინანსური და საბანკო პრივილეგიები — კოოპერაციას“... (იქვე, გვ. 556), რ-ის მეოხებითაც მივიღებთ ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობილებას, რ-იც წარმოების საშუალებათა საზ. საკუთრების პირობებში სოციალიზმის წყობილებაა. სტატიაში ნათქვამია აგრეთვე, რომ საჭიროა ჩვენი მოსახლეობა „ცივილიზებული“ გავხადოთ, რათა მან შეიგნოს კოოპერაციაში მონაწილეობის მთელის სარგებლობა“... სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ მთელი კულტურული რევოლუცია არ მოხდა“ (იქვე, გვ. 560). *ჯ. კაბნიაშვილი.*

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, იხ. სტატიები *სამომხმარებლო კოოპერაცია, ვაჭრობა.*

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ, აღმოცენდა XIX ს. I ნახევარში დას. ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო, საკრედიტო და სხვა კოოპ. გაერთიანებების შექმნასთან დაკავშირებით. ᲙᲐ. ᲗᲘ-ის განვითარება სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობდა: წვრილბურჟ., ლიბერ.-ბურჟ. და პროლეტარული.

XIX ს. შუა წლებიდან, XX ს. 30-იან წლებამდე უფრო მეტად გავრცელებული იყო კოოპერაციის წვრილბურჟ. თეორიები უტოპიური და რეფორმისტული ხასიათის. ამ თეორიებს საფუძვლად ედო წარმოდგენა კოოპერაციაზე, როგორც კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის ძირითად რგოლზე. ლენინმა ამ მიმართულებას უწოდა „კოოპერაციული სოციალიზმი“. შემდგომ ეს თეორიები აისახა ქრისტ. სოციალიზმის ფაბიანელთა წარმომადგენლების მოძღვრებაში (იხ. *ფაბიანელთა საზოგადოება*), აგრეთვე ფ. *ლასალის.* მოძღვრებაში. XIXს. 80-იანი წლებიდან შ. ჟიდმა და სხვებმა შეიმუშავეს „მომხმარებელთა სოციალიზმის“ იდეები, XX ს. 20-იანი წლებიდან— „კოოპერაციული რესპუბლიკის“ იდეები და სხვ., რ-თა საფუძველია შეხედულება სამომხმარებლო კოოპერატივზე როგორც კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდამქმნელ ძირითად ძალაზე. ამ თეორიას მომხრეები ჰყავდა მრავალ ქვეყანაში (გარდა გერმანიისა): საფრანგეთში (ბ. ლავერნი და ე. პუასონი), ინგლისში (თ. მერსერი), რუსეთში (მ. ტუგან-ბარანოვსკი და ვ. ტოტომიანცი). მათ ემხრობოდნენ რუსი ხალხოსნებიც. ვ. ლენინმა ამხილა ამ თეორიების რეაქციული არსი.

ᲙᲐ. ᲗᲘ-ის მეორე ძირითადი მიმართულება აღმოცენდა გერმანიაში XIX ს. შუა წლებში. ეს იყო ლიბერ. ბურჟ. თეორიები. რ-ებსაც პროპაგანდას უწევდნენ ფ. ჰ. შულცე-დელიჩი და ფ. რაიფაიზენი. ისინი კოოპერაციებს თვლიდნენ მსხვილი კაპიტალის ექსპლუატაციისაგან წვრილი ბურჟუაზიის დაცვის მთავარ საშუალებად. თანამედროვე ბურჟ. ᲙᲐ. ᲗᲘ-დან გამოირჩევა ჯ. გოლბრეითის მიერ შექმნილი თეორია, რ-იც კოოპერაციას მიიჩნევს მონოპოლიათა ბატონობის შემასუსტებელ ძალად.

კოოპ. მოძრაობის პრაქტიკაში ხშირად იშლება ბურჟ. და სოც. რეფორმისტულ ᲙᲐ. ᲗᲘ-ს შორის ზღვარი. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ ამ თეორიის წარმომადგენლები ერთობლივად ილაშქრებენ.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მკვეთრად ასხვავებს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პირობებში კოოპერაციის როლსა და მნიშვნელობას. კოოპერაციების თეორ. აზრის პროლეტ. მიმართულება სრულად დაამუშავა ვ. ი. ლენინმა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კაპიტალიზმის პირობებში კოოპერაციების სოც.-ეკონ. ბუნება და საქმიანობის შინაარსი ორგვარი და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრით, კოოპერატივი კოლექტ. კაპიტალ. საწარმოა და ემორჩილება კაპიტალიზმის ობიექტ. კანონებს. მეორე მხრით, კოოპერატივი, როგორც მუშათა კლასის ქალაქისა და სოფლის საშ. ფენების მასობრივი ორგანიზაცია, იბრძვის კაპიტალ. ექსპლუატაციისაგან თავისი წევრების დასაცავად, ზოგჯერ კიდეც აღწევს ამას ნაწილობრივ; კაპიტალიზმის პირობებში კოოპერატივებს არ ძალუძთ ძირეულად გააუმჯობესონ მშრომელი მასების მდგომარეობა. გავრცელებული ილუზიები, თითქოს კოოპერაციებს შეეძლო კაპიტალიზმის „ტრანსფორმირება“ სოციალიზმში, წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლისაგან მშრომელთა ყურადღების ჩამოშორების ცდას.

ლენინი მიუთითებდა, რომ კოოპერაციები უდიდესი კულტ. მემკვიდრეობაა და უნდა გაეუფრთხილდეთ. პროლეტ. რევ. გამარჯვების შემდეგ იგი სოციალიზმის სამსახურში ჩადგება. სსრ კავშირსა და სხვა სოციალ. ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებმა ცხადყო ლენინის თეორიის სიბრძნე, რომ კოოპერაცია ქალაქად და სოფლად სოციალიზმის აშენების საშუალებად იქცევა.

ს. მოსიძე. ჯ. ჩხიკვაძე.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმიანობა სამომხმარებლო, საკრედიტო, საწარმო მომმარაგებელ-გამსაღებელი, საბინაო და სხვ. კოოპერატივების შესაქმნელად და განსავითარებლად. მსოფლიო ᲙᲐ. ᲗᲘ. თავის რიგებში 500 მლნ-ზე მეტ კაცს აერთიანებს. ᲙᲐ. ᲗᲘ-ის საფუძველია ცალკეული კოოპერატივები.

ᲙᲐ. ᲗᲘ. პირველად დაიწყო დიდ ბრიტანეთში, სადაც სამრეწვ. გადატრიალების შემდეგ კაპიტალ. წარმოების განვითარების დაჩქარების პირობებში მუშათა და სხვა ექსპლუატირებული მოსახლ. ფენებმა კოოპერატივი მიიჩნიეს სოც. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად. ᲙᲐ. ᲗᲘ-ის განვითარებაზე *ეარკველული* გავლენა იქონია *უტოპიური სოციალიზმის* იდეებმა.

1844 ქ. როჩდეილში (დიდი ბრიტანეთი) შექმნეს მომხმარებელთა გაერთიანება „სამართლიან პიონერთა საზოგადოების“ სახელწოდებით. „როჩდეილის პიონერებმა“ ჩამოაყალიბეს ᲙᲐ. ᲗᲘ-ის უმნიშვნელოვანესი პრინციპები, რ-ებიც მკვიდრდებოდა მისი განვითარების კვალობაზე. მაგ., კოოპერატივში ნებაყოფლობითი მონაწილეობა, მართვისა და კონტროლის დემოკრ. ხასიათი (ყველა მისი ორგანოს არჩევითობა და კოოპერატივის წევრების წინაშე ანგარიშგება), კოოპერატივის წევრთა ერთნაირი უფლებები საპაიო შენატანების მიუხედავად (ერთი წევრი — ერთი ხმა) და ა. შ.

ᲙᲐ. ᲗᲘ. ამავე პრინციპებზე აღმოცენდა ევრ., აზიისა და ამერ. ბევრ ქვეყანაში. მაგ., კოოპ. ორგანიზაციები შექმნეს 1848 საფრანგეთში (ლიონის ფეიქრებმა), 1853 იტალიაში (ქ. ტურინის რკინიგზის მუშებმა), 1854 გერმანიაში (ლაიფციგის მუშებმა და ხელოსნებმა), 1864 რუსეთში (ურალის კინის ქ-ნის მუშა-მოსამსახურეებმა).

XIX ს. II ნახევრიდან კოოპერაცია (ჯერ სამომხმარებლო, შემდეგ საკრედიტო და მომარაგება-გასაღების) ვრცელდება თანდათანობით ავსტრიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ნორვეგიაში, დანიაში, აგრეთვე რუსეთსა და აღმ. ევრ. სხვა ქვეყნებში. საუკუნის დამლევს კი — იაპონიაში და ა. შ.

ᲙᲐ. ᲗᲘ-ის განვითარების კვალობაზე მიმდინარეობდა მისი ორგანიზაციული ფორმების სრულყოფა, საერთო ეროვნ. კოოპ. ორგანიზაციების შექმნა (მაგ., 1863 შეიქმნა კოოპ. საბითუმო საზ-ბა, 1868— შოტლანდიის კოოპ. საბითუმო საზ-ბა, 1869 — ბრიტ. კოოპ. კავშირი, აშშ-ში 1916 — აშშ-ის კოოპ. ლიგა).

საერთაშ. ᲙᲐ. ᲗᲘ-ს ყურადღებით სწავლობდნენ მეცნ. კომუნიზმის ფუძემდებლები. მარქსსა და ენგელსს თავიანთ შრომებში არაერთგზის გაუშუქებიათ კოოპ. ადგილის, როლისა და მნიშვნელობის საკითხები. რეფორმისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ დაამტკიცეს, რომ შეუძლებელია კოოპ. მეშვეობით ახ. საზ. წყობილების აგება. მათ მიაჩნდათ, რომ კლასობრივი ბრძოლის გარეშე, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე კოოპერაცია არ შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სოციალ. გარდაქმნათა ერთ-ერთი იარაღი.

კოოპ. შესახებ მარქსისტული მოძღვრება შემდგომ განვითარდა ლენინის ნაშრომებში. ლენინმა ღრმად დაამუშავა ᲙᲐ. ᲗᲘ-ის ძირითადი პრობლემები როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის პირობებში, მეცნ. სიღრმით გახსნა სოციალიზმის მშენებლობაში კოოპ. ადგილისა და როლის საკითხები.

პროლეტარული რევ. და საზ-ბის სოციალ. გარდაქმნის ლენინური თეორიის შემადგენელი ნაწილია მოძღვრება კოოპ. შესახებ (იხ. ვ. ი. *ლენინის კოოპერაციული გეგმა*).

კოოპერაციის შესახებ ლენინის მიერ გამოთქმული აზრები, აგრეთვე ᲙᲐ. ᲗᲘ-ის ახ. გამოცდილების შესწავლა საფუძველად დაედო კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს კოოპ. საკითხზე. კომინტერნის მე-3 კონგრესის (1921) თეზი-

სებში — კოოპერაციაში კომუნისტების მუშაობის შესახებ — ხაზგასმული იყო, რომ კომუნისტები მოვალენი არიან იმუშაონ მშრომელთა ამ მასობრივ ორგანიზაციებში და მიაღწიონ იმას, რომ ეს ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაებან კლასობრივ ბრძოლაში.

I მსოფლიო ომის (1914—18) შემდეგ კოოპ. ხვ წ. რიგი კაპიტალ. ქვეყნების მეურნ. სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგ., სკანდ. ქვეყნებში, სადაც 1929—33 წწ. ეკონ. კრიზისის შემდეგ განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იწყო განვითარება სას.-სამ. კოოპერაციამ; ამ უკანასკნელმა არსებითად მონოპ. მდგომარეობა დაიკავა რიგი სას.-სამ. პროდუქტების გასაღების დარგში. ეკონ. ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ ბრიტანეთსა და ბევრ კაპიტალ. ქვეყანაში, სადაც საბინაო კოოპერაციაც ვითარდება. ამასთან, კაპიტალიზმის ეკონომიკასთან დაკავშირებული კოოპერატივები ძალაუნებურად ემორჩილება კაპიტალიზმის განვითარების საერთო კანონებს.

მუშათა კლასის ეკონ. და პოლიტ. ბრძოლაში კოოპერატივების მონაწილეობა იწვევს მათი როლის ამაღლებას. იმ კოოპერატივებში, რ-ებშიც პროგრ. მიმართულებამ გაიმარჯვა, დიდი ყურადღება ეთმობა მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, კოოპერატივების, როგორც დასაქმების, უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების გამოყენებას. კაპიტალ. ქვეყნების მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა კ. მ-ში განაპირობებს პოლიტ. პარტიების ბრძოლას კოოპერატორთა შორის გავლენისათვის. მთელ რიგ ქვეყნებში (დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, იაპონიაში, გფრ-ში) კოოპერატივების უმრავლესობა იმყოფება ს.-დ. პარტიების გავლენის ქვეშ. სას.-სამ. კოოპერატივებში მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსერვატიულ, ხშირად ქრისტ.-სოც. პარტიებს.

კ. მ-ში მემარცხენე ძალების თანამშრომლობა ანტიმონოპ. ფრონტში კოოპერატორთა ჩაბმის საფუძველია, ამ ფრონტის შემადგენელი ძალაა კომუნისტური და მუშათა პარტიები. კომუნისტები აქტიურად მონაწილეობენ კოოპერატივების ბრძოლაში მშრომელთა ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, რაც განუყრელად არის დაკავშირებული სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

კ. მ. სოციალისტურ ქვეყნებში. სოციალ. რევ. გამარჯვების შედეგად წარმოების საშუალებებზე საზ. საკუთრების დამყარებამ ძირეულად შეცვალა კოოპერატივების სოც.-ეკონ. ბუნება და შესაბამისად მათი როლიც საზ-ბის განვითარებაში. ახ პირობებში კოოპ. საკუთრებამ მიიღო სოციალ. ხასიათი. უკვე საბჭ. ხელისუფლების პირველ საკანონმდებლო აქტებში განისაზღვრა კოოპ. ადგილი, ფუნქციები და პრინციპები ეკონომიკაში. ამ გეგმის საფუძველზე 1929 სსრკ-ში დაიწყო განხორციელება სოფ. მეურნ. მასობრივი კოლექტივიზაციისა, რ-ის დამთავრება მოასწავებდა სოციალიზმის გამარჯვებას სოფლად. სსრკ-ის კოოპ. მშენებლობის გამოცდილებას ფართოდ იყენებენ მოძმე სოციალ. ქვეყნები, ამასთან ერთად ითვალისწინებენ თავიანთი ისტ. განვითარების სპეციფიკას, სოც.-ეკონ. და პოლიტ. პირობებს. კოოპ. მოძრაობისადმი სახელმწ. ხელისუფლების მხარდაჭერა ასახულია კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში, რ-ებშიც დადასტურებულია კოოპ. ორგანიზაციათა უფლებები მათ კუთვნილ ქონებაზე და უზრუნველყოფილია მეურნ. სოციალ. სისტემაში მათი დამოუკიდებელი ადგილი. საზღვარგარეთის მრავალ სოციალ. ქვეყანაში, ისევე როგორც სსრკ-ში, ფართოდ განვითარდა სას.-სამ. კოოპერატივები, რ-თა საფუძველზეც განხორციელდა სოფ. მეურნ. სოციალ. გარდაქმნა.

საწარმოო კოოპერატივებთან ერთად სოციალ. ქვეყნებში არსებობს სხვადასხვა სახეობის კოოპერატივები, რ-თა შორის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სამომხმარებლო, მომარაგება-გასაღების, სარეწაო, საბინაო კოოპერატივები. სოციალ. ქვეყნების კოოპერატივები ადგილ. რესურსების გამოყენების საფუძველზე, ავითარებენ საკუთარ წარმოებას. ეს ორგანიზაციები კულტ.-საგანმ. და აღმზრდელობით მუშაობას ახორციელებს.

განვითარებად ქვეყნებში კ. მ. დიდ როლს ასრულებს ეკონ. და კულტ. ჩამორჩენილობის თანდათანობით დაძლევაში. სხვადასხვა ტიპის კოოპერატივთა რიცხვი ამ ქვეყნებში იზრდება, პირველ ყოვლისა, ეკონ. ძირითად დარგში — სოფლის მეურნეობაში. მთელ რიგ ქვეყნებში (მავრიკი, სიერა-ლეონე, დაჰომეა, ნიგერია, ტოგო, სენეგალი, უგანდა, შრი-ლანკა, ბირმა, მალაიზია და სხვ.) მთავრობამ შექმნა სპეც. სამინისტროები და უწყებები. სხვა ქვეყნებში, მაგ., კოლუმბიაში, კ. მ-ის საკითხებს განაგებს 17 სახელმწიფოებრივი დაწესებულება, მ. შ. სოფ. მეურნ., შრომის, განათლებისა და საზ. სამუშაოთა 4 სამინისტრო.

განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია კოოპ. მრავალფეროვნება. მარტო ინდოეთში კოოპერატივების 80-ზე მეტი ნაირსახეობაა. სას.-სამ., სარეწაო, სამომხმარებლო, საკრედიტო და საბინაო კოოპერატივებთან ერთად აფრიკაში, აზიაში, ლათ. ამერიკაში ხშირად შევხვდებით ტრანსპორტის, სასმელების, წისქვილების, მარცვლეულის შინამრეწველურ-სარეწაო და სხვა კოოპერატივებს. განვითარებად ქვეყნებში უკვე არსებობს ხელსაყრელი პირობები სას.-სამ. კოოპ. საქმიანობისათვის. ამაზე მეტყველებს ამ ქვეყნებში კ. მ-ის ფართო განვითარება. იგი თავის რიგებში ითვლის დაახლოებით 70 მლნ. მეპაიეს, რ-ებიც გაერთიანებული არიან 550 ათასზე მეტ კოოპერატივში. მათგან თითქმის 100 ათ. კოოპერატივი, სადაც გაერთიანებულია 15 მლნ-ზე მეტი კაცი, დასაქმებულია ამ კოოპერატივების წევრთა მიერ დამზადებული სას.-სამ. პროდუქტების წარმოებით და გასაღებით. ბოლო დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით განვითარებად ქვეყნებში სულ უფრო ვრცელდება საკრედიტო კოოპერაცია. ამ ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე მოსახლ. უღარიბესი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იქმნება სამომხმარებლო კოოპერაცია.

აზიის, აფრ. და ლათ. ამერ. ქვეყნებში კოოპ. განვითარების პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი შეაქვთ სოციალ. ქვეყნებს, პირველ რიგში, სსრკ კავშირს. სოციალ. ქვეყნები ეხმარებიან განვითარებად ქვეყნებს კოოპ. აქტივისტებისა და მუშაკების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ავრცელებენ ცოდნას კოოპ. შესახებ და უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას, ხელს უწყობენ სამეცნ.-ტექ. პროგრესის მიღწევათა ათვისებაში, აგზავნიან განვითარებული ქვეყნების ექსპერტებსა და სპეციალისტებს ამ ქვეყნების კოოპ. ორგანიზაციებისათვის კოოპ. დაგეგმვის ორგანიზაციაში დახმარების გასაწევად, ამყარებენ და ახორციელებენ სავაჭრო ურთიერთობას, აწყობენ საქონელგაცვლას სხვადასხვა და ურთიერთსასარგებლო საწყისზე, უწევენ უშუალო მატერ. დახმარებას და ა. შ.

ერთვნ. კოოპ. ორგანიზაციათა საერთაშ. თანამშრომლობა ხორციელდება როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი წესით. კოოპერატივების უდიდესი საერთაშ. გაერთიანებაა—საერთაშ. კოოპ. ალიანსი.

კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში. ბარუსეთსა და სსრკ-ში. კ. მ. რუსეთში წარმოიშვა XIX ს. 60-იან წლებში. იგი თავისი კლასობრივი არსით წვრილბურჟ., რეფორმისტულ-დემოკრ. საზ. მოძრაობა იყო. ვითარდებოდა დას. ევრ. კ. მ-ის ძლიერი გავლენით. რუსეთში კოოპერატივები არსებობდა საწარმოო არტელების, სამომხმარებლო საზ-ბებისა და სხვ. სახით. 1833 ბესარაბიის გუბერნიაში და შემდგომ პერიოდში იმპერიის სხვა გუბერნიებში წარმოიშვა სამიწათმოქმედო არტელი. ეს იყო მემამულეთა და მეგახშეთა თვითნებობისა და სიღარიბის წინააღმდეგ გლეხობის წვრილბურჟ. ბრძოლა. XX ს. დასაწყისში რუსეთში ითვლებოდა 1625 კოოპერატივი (საკრედიტო — 837, სამომხმარებლო — 600, სას.-სამ. საზ-ბა — 137 და სხვ.). 1915 დასაწყისში კი კოოპერატივთა რიცხვმა 35,2 ათასს მიაღწია. განსაკუთრებით გაიზარდა კოოპერატივთა რიცხვი I მსოფლიო ომის პერიოდში. უკვე 1917 ითვლებოდა 63 ათ. სხვადასხვა სახეობის კოოპერატივი, რ-შიც გაერთიანებული იყო 24 მლნ. კაცი. 1917 თებ. რევ. შემდეგ კოოპერაცია აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში. კოოპ. ლიდერებმა სოლიდარობა გამოუცხადეს დროებით მთავრობას, რ-მაც 1917 მარტში დაამტკიცა ლიბერ. კოოპ. კანონი.

1917 ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა კოოპერაცია გამხდარიყო საზ-ბის სოციალ. გარდაქმნის იარაღი (იხ. ვ. ი. *ლენინის კოოპერაციული გეგმა*). განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა კოოპერატივების რაოდენობა ნეპის პერიოდში. 1928—29 სას.-სამ. კოოპერაციაში ჩაებნენ სოფლის ახ. ფენები, რასაც ხელი შეუწყო *კონტრაქტაციის* ფართოდ გამოყენებამ. სას.-სამ. კოოპ. განვითარებასთან ერთად განვითარდა კოოპ. სხვა სახეობებიც.

კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში იწყება XIX ს. 70-იანი წლებიდან, როცა ჩვენში გაჩნდა სამრეწვ. პროლეტარიატი, რ-საც ესაჭიროებოდა მოხმარების ყველა აუცილებელი საგნის ბაზარზე შეძენა, როდესაც გლეხობა ჩამოშორდა ნატურალურ მეურნეობას და მიაშურა ბაზარს, რათა გაესაღებინა თავის მიერ წარმოებული პროდუქტები, შეეძინა მოხმარებისა და წარმოების საგნები. კ. მ-ის განვითარების აღმოცენებას ხელს უწყობდა აგრეთვე ოუენისა და მის მიმდევართა უტოპიური აზრების გავრცელება.

საქართველოში პირველ მომხმარებელთა საზ-ბა „მომჭირნეობა" შეიქმნა თბილისში 1869. 1877 წარმოიშვა პირველი შემნახველი მომხმარებელთა საზ-ბა „დეპოს" სახელწოდებით (თბილ. მაზრის სოფ. საგარეჯოში). ერთი წლის შემდეგ საქართველოში უკვე არსებობდა სამი „დეპო" — თბილისში, საგარეჯოსა და თიანეთში. კ. მ-ის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კოოპერატივის მოწყობა სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანში 90-იან წლებში. საქართველოში კ. მ-ის განვითარებას დიდად შეუწყეს ხელი ქართ. ლიტ-რის კლასიკოსებმა და საზ. მოღვაწეებმა: ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ა. ფურცელაძემ, ს. მესხმა, ა. ცხვედაძემ, დ. ნადირაშვილმა და სხვ. 1905—15 წლებში კ. მ. საქართველოში შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, I მსოფლიო ომის შემდეგ კი უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო.

1916 წ. მაისში შეიქმნა მომხმარებელთა საზ-ბების კავშირი — ამიერკავკ. კავშირი „ზაკსოიუზი", რ-იც აერთიანებდა საქართვ., აზერბ. და სომხ. კოოპორგანიზაციებს. 1919 (ოქტ.) „ზაკსოიუზის" გაუქმებასთან დაკავშირებით შეიქმნა საქართვ. მომხმარებელთა საზ-ბების რესპ. კავშირი — *„ციკავშირი"*.

კ. მ. საქართველოში ფართოდ გაიშალა საბჭ. ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. კომუნისტური პარტია და საბჭ. მთავ-

რობა იჩენდა შეუნელებელ ყურადღებასა და ზრუნვას სამომხმარებლო კოოპ. ზრდა-განვითარებისათვის, იღვწოდა, რათა ეს მოძრაობა ჩაეყენებინა მუშათა კლასისა და გლეხობის სრულ სამსახურში. ცეკავშირი შევიდა საერთაშ. კოოპ. ალიანსში, რ-ის წევრიცაა იგი დღემდე და აქტ. მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში.

სამომხმარებლო კოოპ. განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა კოოპ. სხვა ფორმები. კერძოდ, იზრდებოდა სას.-სამ. კოოპერაციაში ჩართულ მეურნეობათა რაოდენობა. საქართველოში უკვე 1921 ჩამოყალიბდა 35 კოლ-ბა (მ. შ. 2 კომუნა და 33 მშრომელ-მწარმოებელთა ამხანაგობა), რ-ებშიც გაერთიანებული იყო 1338 კომლი და განსაზოგადოებელი იყო 1475 დესეტ. მიწა. 1926 წლისათვის კოლ-ბათა რიცხვმა 58 მიაღწია. აქედან 32 იყო მიწის ერთობლივად დამმუშ. ამხანაგობა, 19 სას.-სამ. არტელი და 7 სას.-სამ. კომუნა (იხ. *სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია*).

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სსრკ-ში გამოიყენება ისტორიულად ჩამოყალიბებული და განმტკიცებული კოოპ. ფორმები (სას.-სამ., სამომხმარებლო, საბინაო), რ-ებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახ. მეურნ. განვითარებასა და მთელი საზ-ბის მუდმივად მზარდ მატერ. და კულტ. მოთხოვნილებათა მაქს. დაკმაყოფილების უზრუნველყოფაში.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კოოპერატივების საკითხი კოპენჰაგენის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. 1910 წ. 25 სექტ. (8 ოქტ.), თხზ., გამოც. მე-4, ტ. 16; მ ი ს ი ვ ე, კოოპერაციის შესახებ, იქვე, ტ. 33; მ ი ს ი ვ ე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, ტ. 27; მ ი ს ი ვ ე, კოოპერაციის განვითარების გზები, ტფ., 1927; გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი შ., სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა, ტფ., 1929; ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი ა., კოოპერაცია და სახელმწიფოებრივი ეჯრობა, ტფ., 1924; მ ი ს ი ვ ე, კოოპერაცია საქართველოში, ტფ., 1923; მ ი ს ი ვ ე, კოოპერაციის თეორია და ისტორია, ტფ., 1925; წესდება საქართველოს მომხმარებელთა საზოგადოებების რესპუბლიკური კავშირის — ცეკავშირის, თბ., 1975; ჭ ა ვ ჭ ა ნ ი ძ ე ნ., კოოპერაციის თეორია და ისტორია, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია 40 წლის მანძილზე, თბ., 1961; М а р к с К., Учредительный манифест Международного Товарищества Рабочих, М а р к с К. и Э н г е л ь с Ф., Соч., 2 изд., т. 16; м е с и в е. Инструкция делегатам Временного Центрального Совета по стдельным вопросам, იქვე; Б а л а ш о в А. С., Потребительская кооперация в СССР, М., 1975; К р а ш е н и н н и к о в А. И., М о р о з о в А. М., Международное кооперативное движение, 2 изд., М., 1977; Материалы IX стезда уполномоченных потребительской кооперации СССР, М., 1975; Основы теории и история потребительской кооперации, М., 1963; Сборник уставов организаций потребительской кооперации, М., 1974; Советская кооперация на Ленинском пути. Сб. ст., М., 1970. *კ. შავიშვილი.*

კოოპერაციული საკუთრება, ცალკეული კოოპერატივების, მათი გაერთიანების კოლექტიური საკუთრება. კ. ს-ის სოც. ბუნებას გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობა განსაზღვრავს. კ. ს. აღმოცენდა კაპიტალიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე სხვადასხვა სახის კოოპერატივების წარმოქმნასთან დაკავშირებით (იხ. *კოოპერაცია*). კაპიტალ. საზ-ბაში კ. ს. კაპიტალ. კოლექტ. საკუთრების სახესხვაობაა. მისი წარმოქმნისა და განვითარების წყარო წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალ. საკუთრებაა.

სოციალიზმის დროს კ. ს. სოციალ. საკუთრების ფორმაა. იგი სახელმწიფო საკუთრების მსგავსად ემყარება წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოებას, გამორიცხავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, უზრუნველყოფს წარმოების გეგმაზომიერ განვითარებას, ხასიათდება მეგობრული ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ურთიერთობებით. კ. ს. განსხვავდება სახელმწ. საკუთრებისაგან განსაზოგადოების შედარებით დაბალი დონით, წარმოქმნის წყაროებით, საკუთრების ობიექტებით, შრომის ანაზღაურების ფორმებით, სამართლებრივი რეჟიმით და სხვ.; სოციალ. სახელმწიფო საკუთრება საერთო სახ.-საკუთრებაა. კ. ს. კი მოცემული კოოპერატივის წევრთა კოლექტ. საკუთრებაა. იგი შეიძლება წარმოიქმნას: ა) კოოპერატივის წევრთა საკუთრებაში არსებული წარმოების საშუალებების განსაზოგადოებით; ბ) სოციალ. სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებზე ქონების გადაცემით; გ) კოოპერატივების საშეურნეო საქმიანობის პროცესში მათი საზ. სიმდიდრის მატებით; დ) კოოპერატივების მიერ ქონების შეძენით (ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების, მემკვიდრეობისა და მისთ. გზით).

სსრკ-ში კ. ს-ის განვითარება დაკავშირებულია ლენინის კოოპ. გეგმის განხორციელებასთან. 1934 ძირითადად დამთავრდა სოფ. მეურნ. კოლექტივიზაცია და წარმოების საშუალებებსა და წარმოებულ პროდუქციაზე სოფლად კ. ს. განმტკიცდა. კ. ს-ის ურთიერთობა ყალიბდება და ვითარდება საერთო-სახ. საკუთრების ბაზაზე. განასხვავებენ კოლ-ბებისა და სხვა კოოპ. (სამომხმარებლო, საბინაო) ორგანიზაციების საკუთრებასა და კოოპერატივთშორის საკუთრებას. ეს უკანასკნელი რამდენიმე კოოპ. ორგანიზაციის საკუთრებაა და გამოირჩევა განსაზოგადოების უფრო მაღალი დონით. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია აგროსამრეწვ. კომპლექსების შექმნა, სადაც სახელმწ. და საკოლმ.-კოოპ. საკუთრება ერთმანეთთანაა შერწყმული. სსრკ კ. ს-ში წამყვან როლს ასრულებს საკოლმ. საკუთრება.

კოოპ. ორგანიზაციების კოლექტ. საკუთრებაშია მწარმოებელი, დამამზადებელი და სავაჭრო საწარმოები, კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებები, შენობები და ნაგებობანი, სას.-სამ. მანქანები, სატრანსპ. საშუალებები, მუშა და პროდ. პირუტყვი, მრავალწლიანი ნარგავები, ნათესები და წარმოების სხვა საშუალებები, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია და სხვა ქონება.

კ. ს. დაყოფილია მიზნობრივი დანიშნულების ფონდებად. მაგ., კოლ-ბებში იქმნება ძირითადი და საბრუნავი, კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურებისა და სხვ. სპეც. ფონდები *(იხ. სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდები)*.

კ. ს-ის ზრდა და განმტკიცება, კოოპ. ორგანიზაციების მატერ.-ტექ. ბაზის შემდგომი გადიდებისა და სრულყოფის შედეგად მისი განსაზოგადოების დონის ამაღლება, კოოპერატივთშორისი საწარმოების ორგანიზაციებისა და გაერთიანებების შექმნა და სხვა თანდათანობით დაუახლოებს კ. ს-ს საერთო სახ. საკუთრებას. შესაბამისად მოხდება მათი სამართლებრივი რეჟიმის დაახლოება, რ-იც გამოვლინდება კ. ს-ის დაცვის გაძლიერებით. კ. ს-ის დაცვა ხორციელდება კოოპ.-სამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი, ადმ.-სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი წესით. კ. ს-ის კოოპ.-სამართლებრივი წესით დაცვის დროს კოოპერატივის მმართველობის ორგანოები თვითონ ღებულობენ მატერ. ან დისციპლინური ზემოქმედების შესაბამის ზომებს გადაცდომის ჩამდენი წევრების მიმართ.

კ. ს-ის სამოქალაქო სამართლებრივი წესით დაცვის შემთხვევაში კოოპერატივს უფლება აქვს ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისგან გამოითხოვოს კოოპერატივის ის ქონება, რ-საც ისინი უკანონოდ ფლობენ, მოითხოვოს დებიტორული დავალიანების მქონე ორგანიზაციებზე და პირებზე სახდელის დაკისრება კოოპერატივის სასარგებლოდ. თუ კოოპერატივის ქონების უკანონოდ მითვისება ეჭვს არ იწვევს, კანონიერების აღდგენა შეიძლება მოხდეს ადმ.-სამართ. წესით, რ-იც ზემდგომ ორგანოებს უფლებას აძლევს გააუქმოს უკანონო აქტები და ქვემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები, დააკისროს დამრღვევს უკანონოდ ამოღებული ქონების დაბრუნება, დასაჯოს ადმ. წესით კოოპ. ქონების გამნიავებელი პირები. კ. ს-ის ხელყოფა ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სსრკ კ. ს-ში დიდია სამომხმარებლო კოოპერატივების საკუთრების ხვ. წ. (იხ. *სამომხმარებლო კოოპერაცია*). იგი მოიცავს საცალო ვაჭრობისა და საზ. კვების საწარმოებს, დამამზადებელ პუნქტებს, ბოლტნეულისა და კარტოფილსაცავებს, სოფ. მეურნ. პროდუქციის გადამმუშ. საწარმოებს და სხვ. სსრკ-ში კოოპერაციის პერსპექტიული სახეა აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია.

უმეტეს სოციალ. ქვეყნებში სოფლად წარმოებითი ურთიერთობის საფუძველია კ. ს., რ-იც თავისი სოც.-ეკონ. ბუნებით არ განსხვავდება სსრკ-ში არსებული კ. ს-გან. მათი განვითარება და განმტკიცება ხდება საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე, თუმცა ზოგიერთ თავისებურებასაც აქვს ადგილი, რაც უწინარეს ყოვლისა, გამოწვეულია ამ ქვეყნებში კ. ს-ის წარმოქმნის თავისებურებებით. სსრკ-სა და სხვა სოციალ ქვეყნებში კ. ს-ის შექმნის, განმტკიცებისა და განვითარების გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს კოოპ. მოძრაობის განვითარებაზე ყველა ქვეყანაში. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რ-თა პროგრ. მთავარობა მხარს უჭერს გლეხთა ფართო მასების კოოპერირების სხვადასხვა ფორმის განვითარებას.

ლიტ.: მ ა რ ქ ს ი კ., კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 1, თბ., 1959; ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში, თხზ., გამოც მე-4, ტ. 4, მ ი ს ი ვ ე, კოოპერაციის შესახებ, იქვე, ტ. 33; სკკპ პროგრამა, თბ., 1971; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს., სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში, თბ., 1963. *გ. ჩადუნელი.*

„კოოპერაციული სოციალიზმი“, რეფორმისტული თეორია, რ-იც კოოპერაციას მიიჩნევს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი და თანდათანობითი „ტრანსფორმაციის“ ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. „კ. ს.“ წარმოიშვა და განვითარდა კოოპერაციული მოძრაობისა და კოოპ. თეორიის ჩასახვასა და განვითარებასთან ერთად. უფრო დაწვრილებით იხ. სტ. *კოოპერაცია* (განყ-ბა თეორიები).

კოოპერირება (მრეწველობაში, მშენებლობაში), საწარმოო კავშირის გეგმიანი ორგანიზაცია იმ საწარმოთა შორის, რ-ებიც ერთობლივად ამზადებენ განსაზღვრულ პროდუქციას, მაგრამ ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას. კ. არის შრომის საზ. დანაწილებისა და წარმოების სპეციალიზაციის შედეგი და მათი შემდგომი გაღრმავების აუცილებელი პირობა. კ-ის ხასიათი განისაზღვრება საზ. წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით. კაპიტალიზმის პირობებში საწარმოთა შორის კავშირურთიერთობა შეზღუდულია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და კონკურენციის არსებობით, იგი სტიქიური ხასიათისაა.

სოციალიზმის დროს ყველა პირობაა შექმნილი საწარმოთა შორის ფართო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის. კ. მრეწველობასა და მშენებლობაში უშუალოდ არის დაკავშირებული ამ დარგებში მიმდინარე სპეციალიზაციის მუდმივ პროცესთან და ხელს უწყობს კოოპერირებული ობიექტების საწარმოო სიმძლავრეთა რაციონალურად გამოყენებას, წარმოების მასშტაბების ზრდას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას. სოციალ. წარმოებაში კ. ხორციელდება როგორც ტერიტ., ისე დარგობრივი პრინციპით. განასხვავებენ შიდასარაიონო კ-ს, როცა საწარმოთა წარმოებრივი ურთიერთკავშირი ერთი ეკონ. რ-ნის (მაგ.,

ამიერკავკ.) ფარგლებშია, და რაიონთშორის კ-ს, როცა წარმოებითი ურთიერთკავშირი სხვადასხვა ეკონ. რ-ნში განლაგებულ საწარმოთა შორის მყარდება. საწარმოთა კ-ს მრეწვ. ერთ-ერთი დარგის ფარგლებში ეწოლება შიგადარგობრივი კ., ხოლო როცა წარმოებითი კავშირი არსებობს სხვადასხვა დარგის საწარმოთა შორის, საქმე გვაქვს დარგთაშორის კ-თან.

სპეციალიზაციის არსებულ სახეობათა შესაბამისად ცნობილია: ა) საგნობრივი კ. — მომიჯნავე ქ-ნა პროდუქციის საკომპლექტო მზა ნაწარმს აწვდის ძირითად ქ-ნას (მაგ., ძრავთმშენებელი ქ-ნა ძრავებს აწვდის თვითმფრინავთმშენებელ ქ-ნას); ბ) კ. დეტალების მიხედვით — ძირითადი ქ-ნა მომიჯნავე საწარმოებისაგან ღებულობს დეტალებსა და კვანძებს (მაგ., რადიატორების, კარბიურატორებისა და სხვ. მიწოდება საავტ. ქ-ნისათვის); გ) ტექნოლ. კ. — ერთი საწარმო მეორეს აწვდის ნახევარფაბრიკატს ან ასრულებს მისთვის ცალკეულ ოპერაციას (მაგ., სამსხმელო ქ-ნის მიერ სხმულის მიწოდება მანქანათაშენი ქ-ნისათვის).

მშენებლობაში კ. გულისხმობს ერთობლივი ძალებით სპეც. სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას და ხორციელდება სამშენებლო ორგანიზაციებს შორის ან მათსა და სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების დამამზადებელ საწარმოთა შორის.

კ-ის დონის მაჩვენებლია იმ საწარმოთა რაოდენობა, რ-ებიც ამყარებენ წარმოებით კავშირს მოცემულ საწარმოსთან (მშენებლობაში — ქვემოთჯარადრე ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების ხვ. წ.). აგრეთვე კ-ის წესით შემოსული ნახევარფაბრიკატებისა და ნაწარმის ხვ. წ. მოცემული ქ-ნის მიერ წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულებაში (მშენებლობაში — კ-ის წესით მიღებული დეტალებისა და კონსტრუქციების ღირებულების ხვ. წ. მშენებლობის პროდუქციის მთლიან ღირებულებაში).

კ. სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალ. ქვეყნების ეკონ. თანამშრომლობაში. იგი ხორციელდება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულია ახ. დიდი ამოცანები მრეწველობაში, მშენებლობასა და სახ. მეურნ. სხვა დარგებში კ-ისა და სპეციალიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. *ვ. პატეიშვილი.*

კოოპტაცია (ლათ. cooptatio — დამატებითი არჩევა), რაიმე არჩევითი კოლეგიური ორგანოს შევსება ახალი წევრებით ამავე ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. როგორც წესი, კ. მტკიცდება შემდგომ, სათანადო ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

კოორდინატები [ლათ. co (cum) ერთად და ordinatus — მოწესრიგებული], რიცხვები, რ-ებიც განსაზღვრავენ წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე, ზედაპირზე ან სივრცეში. ყველაზე ადრე იყენებდნენ *გეოგრაფიულ კოორდინატებსა* და *ცის კოორდინატებს*. ფართო გამოყენება აქვთ მართკუთხა კოორდინატებს (იხ. ნახ.), *პოლარულ კოორდინატებს* და ზოგიერთ სპეც. მრუდწირულ კოორდინატს, სახელდობრ, *ცილინდრულ კოორდინატებსა* და *სფერულ კოორდინატებს*. *იხ.* აგრეთვე *ანალიზური გეომეტრია.*

კოორდინატული ავტომატური ტელეფონის სადგური (კატს), ავტომატური ტელეფონის სადგური, რ-შიც სალაპარაკო ტრაქტის საკომუტაციოდ გამოყენებულია *მრავალჯერადი კოორდინატული მაერთებელი*. დეკადურ-ბიჯური ატს-თან შედარებით იგი უფრო ხელსაყრელია: მისი კოორდინატული მაერთებელი სწრაფმოქმედი და მუშაობაში საიმედოა, მარტივია მისი დამზადების ტექნოლოგია და სხვ.

ტევადობის მიხედვით კატს არის მცირე (კ-50/200), საშუალო (კ-100/2000) და დიდი (კ-10000). დიდი ტევადობის კატსში კოორდინატულ ქვესადგურებსაც იყენებენ. *რ. ქვრივიშვილი.*

კოორდინატული მაერთებელი, რელეური საკომუტაციო მოწყობილობა. *იხ. მრავალჯერადი კოორდინატული მაერთებელი.*

კოორდინაცია [ლათ. co(cum) — ერთად და ordinatio — მოწესრიგება]. შეთანხმება, შეხამება, რაიმეს მოწესრიგება, ურთიერთშეფარდება.

კოორდინაცია, 1. მორფოლოგიაში — ორგანიზმის ნაწილთა კანონზომიერი თანამიმართება, რ-იც განაპირობებს მათ შეუღლებულ გარდაქმნას ევოლუციის პროცესში. ტერმინი კ. შემოიღო ა. სევერცოვმა. განასხვავებენ ტოპოგრაფიულ კ-ს, ე. ი. ნაწილთა სივრცობრივი ურთიერთობით განსაზღვრულ თანამიმართებას (მაგ., ქალა და თაკის ტვინი); დინამიკურ კ-ს, ე. ი. ერთმანეთთან ფიზიოლოგიურად დაკავშირებული ნაწილების თანამიმართებას (მაგ., ანალიზატორის პერიფერიული და ცენტრ. ნაწილი); ბიოლოგიურ კ-ს ანუ კოადაპტაციას, ე. ი. ისეთი ნაწილების თანამიმართებას, რ-ებიც შეუღლებულად იცვლებიან გარკვეული გარეგანი პირობებისადმი შეგუების გამო (კბილები, ყბები, კუჭი, კიდურები და სხვ.). კ. განაპირობებს ევოლ. პროცესში ორგანიზმის, როგორც მთელის, გარდაქმნას და, ამრიგად, *ინტეგრაციის* მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2. ფიზიოლოგიაში — ორგანიზმის ნაწილთა შეთანხმებული მოქმედება, რ-იც განპირობებულია ცენტრ. ნერვულ სისტემაში აგზნებისა და შეკავების პროცესების თანამიმართებით. მაგ., კიდურის მოხრისას მომხრელი კუნთების შესაბამისი ცენტრები ტვინში აიგზნება, გამშლელი კუნთების ცენტრები კი შეკავდება. რაც იწვევს ამ კუნთების მოდუნებას და აადვილებს კიდურის მოხრას (იხ. *რეციპროკული ინერვაცია*). *ლ. ნათაძე.*

კოორდინაცია გრამატიკაში, საურთიერთო მართვა-შეთანხმება; გარდამავალი ზმნის შემცველი წინადადების შემადგენელ სიტყვათა შორის რთული სინტაქსური ურთიერთობა, რ-ის დროსაც არა მხოლოდ ზმნა მართავს მასთან დაკავშირებული სუბიექტისა (ქვემდებარის) და ობიექტის (დამატების) ბრუნვებს, არამედ სახელებიც მართავენ ზმნას პირში და ითანხმებენ რიცხვში. კ-ის წევრ სიტყვებს კოორდინატები ეწოდება. ზმნა, რ-იც მართავს სახელის ბრუნვებს, ძირითადი კოორდინატია; სახელი, რ-იც მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში, დიდი კოორდინატია, ხოლო სახელი, რ-იც მართავს ზმნას პირში და ვერ ითანხმებს რიცხვში — მცირე კოორდინატი. ქართ. შესატყვეს ასეთი რთული აგებულება განსაზღვრულია იმით, რომ ზმნაში სუბიექტის პირთან ერთად ობიექტის პირიც აღინიშნება.

ლიტ.: ჩიქობავა ა., მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, გამოც.-მე-2, თბ., 1968; მისივე, Грузинский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 4, М., 1967.

კოორდინაციული ბმა, დონორულ-აქცეპტორული ბმა, *კოვალენტური ბმის* წარმოქმნის ისეთი სახე, სადაც კავშირი ქიმ. ნაწილაკებს შორის ხორციელდება ერთ-ერთი მათგანის (დონორის) თავისუფალი ელექტრონული წყვილისა და მეორის (აქცეპტორის) თავისუფალი (შეუვსებელი) ორბიტალის ხარჯზე. განსხვავება ჩვეულებრივ კოვალენტურ ბმასა და კ. ბ-ს შორის სქემატურად ასე გამოისახება:

კოვალენტური ბმა $A^{\cdot}+{}^{\cdot}B \rightarrow A{:}B$

კ. ბ. $A{:}+B \rightarrow A{:}B$.

კ. ბ-ის ტიპური მაგალითია ამიაკისა და წყალბადიონის ურთიერთქმედების დროს ამონიუმის იონის წარმოქმნა:

$$\begin{array}{c} H \\ | \\ H-N: \\ | \\ H \end{array} + H^+ \rightarrow \left[\begin{array}{c} H \\ | \\ H-N-H \\ | \\ H \end{array}\right]^+ + 200 \text{ კკალ /მოლ}$$

კოორდინაციული რიცხვი, *კომპლექსნაერთებში* ცენტრალურ ატომთან უშუალოდ დაკავშირებული ატომების ან ატომთა ჯგუფების რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი.

კოორტი იაან [25. X (6. XI). 1883, სოფ. პუპასტვერე, ახლანდ. ტარტუს რ-ნი, ესტ. სსრ,—14. X. 1935, მოსკოვი], ესტონელი მოქანდაკე. XX ს. ესტ. ეროვნ. სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა პეტერბ. შტიგლიცის ტექ. ხატვის ცენტრ. სასწავლებელში (1902—05) და პარიზის ნატიფი ხელოვნ. სკოლაში (1905—08). 1915-მდე ცხოვრობდა პარიზში. კ-ის ადრინდელ ნამუშევრებში იგრძნობა სიმბოლიზმის გავლენა. 1910—20-იან წლებში შექმნა ეროვნ. ხასიათის ღრმა წვდომითა და ფორმათა მკაცრი უბრალოებით გამორჩეული პორტრეტები („მეულლის პორტრეტი", თაბაშირი, 1913—14; ბაზალტი, 1916, ესტ. სსრ სამხატვრო მუზეუმი, ტალინი) და ესტ. გლეხთა სახეები („მამაკაცი ჩიბუხით", თაბაშირი 1919, ხვ. 1920, ტარტუს სამხატვრო მუზეუმი და სხვ.). კ. მუშაობდა ანიმალისტურ ჟანრშიც, იყო აგრეთვე კერამიკოსი.

კოპალა, წინაქრისტიანული სათემო ღვთაება აღმ. საქართველოს მთაში. მისი ძირითადი სამლოცველო იყო ფშავსა (სოფ. უძილაურთა) და ხევსურეთში (ლიქოკის ხეობა, ჭალაისოფელი). კ-ს სამლოცველოები იყო აგრეთვე თუშეთში, მთიულეთში, გუდამაყარსა და ქართლ-კახეთის ჩრდ. ზოლში. მორწმუნეთა წარმოდგენით, კ. გალვთიშვილებულ ხორციელად ითვლებოდა, რ-ისთვისაც *იახსართან* ერთად მორიგე ღმერთს დაუკისრებია ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე ოდესღაც მობინადრე დევ-კერპების განადგურება. მასვე მიაწერენ ავსულებთან ბრძოლის ფუნქციას, საკუთარი საყმოსა და სხვა ხორციელთა დაცვას ბოროტი ძალებისაგან. იმავე წარმოდგენით, კ., როგორც სათემო ღვთაება, თავის ყმებს მფარველობდა გასაჭირში, თან ახლდა ლაშქრობებში და ხელს უმართავდა. ამ ფუნქციათა დამოხვევის გამო კ. და იახსარი მოძმე ღვთიშვილებად მიაჩნდათ. კ-ს ჰქონდა მამულები, სათიბები, ზვრები კახეთში, კურატების ჯოგი, სხვადასხვა დანიშნულების საზ.-საკულტო ნაგებობანი, სამეურნეო ინვენტარი, ფლობდა განძს და ა. შ.

ლიტ.: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. 1 — ფშავი, თბ., 1974; ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967; შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, [ტ.] 1 — ხევსურული, თბ., [1931]; Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

თ. ოჩიაური.

კოპალეიშვილი ბარნაბა ილარიონის ძე [21. XI (3. XII). 1898, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის რ-ნი, — 7. I. 1979, თბილისი], ქართველი საბჭ. მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1956), საქ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1954-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილ. სამედ. ინ-ტის გინეკოლოგ. კათედრის პროფესორად. კ. შეისწავლიდა ჟანგვა-აღდგენითი პროცესების მიმდინარეობას ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის პერიოდში, პლაცენტის ფიზიოლოგიას და პათოლოგიას, უნაყოფობის ეტიოპათოგენეზს, მის მკურნალობას და სხვ.

თხზ.: მეანობა (სახელმძღვანელო), თბ., 1967 (გამოც. მე-2, თბ., 1972); ოპერაციული გინეკო-



კოორდინატები. აფინური ანუ ზოგადი დეკარტის კოორდინატების სიბრტყეზე; მივიღებთ მაშინ, თუ ავარჩევთ O წერტილს (კოორდინატთა სათავეს) და ერთი წერტილიდან გამომავალ ერთ წრფეზე არამდებარე $\vec{Ou}$ და $\vec{Ov}$ ვექტორებს. M წერტილის მდებარეობა მოცემულ კოორდინატთა სისტემაში განისაზღვრება აბსცისითა $x=\vec{Ox}/\vec{Ou}$ და ორდინატით $y=\vec{Oy}/\vec{Ov}$, სადაც Mx არის Ov პარალელური, ხოლო My=Ou. როცა $\vec{Ou}$ და $\vec{Ov}$ ვექტორები ურთიერთპერპენდიკულარულია და სიგრძე ერთი და იგივე აქვთ, მიიღება ყველაზე გავრცელებული მართკუთხა კოორდინატები. თუ კუთხე $\vec{Ou}$ და $\vec{Ov}$ ვექტორებს შორის ნებისმიერია და ორივე ვექტორის სიგრძე ერთნაირია, მიიღება ირიბკუთხა კოორდინატები, რომლებსაც განხილავდა დეკარტი (ხშირად მხოლოდ მათ უწოდებენ დეკარტის კოორდინატებს, ხოლო ზოგად დეკარტის კოორდინატებს აფინურ კოორდინატებს უწოდებენ). ანალოგიურად განისაზღვრება აფინური კოორდინატები სივრცეში.

ი. კოორტი. „მოხუცი ესტონელი", გრანიტი. 1923 ესტონეთის სსრ სამხატვრო მუზეუმი. ტალინი.

თ. კოპალეიშვილი.

ი. კოპალინი.

კოპენჰაგენი. თორვალდსენის მუზეუმის შენობა, 1839—48. არქიტექტორი მ. ბინესბელი.

ლოგია, თბ., 1977; საშვილოსნოს მიომა, თბ., 1971 (თანაავტ.: კ. კორმილიციანი).

კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე (დ. 30. I. 1930, სამტრედია), ქართველი საბჭ. ფიზიკოსი, საქ. სსრ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979). დაამთავრა თსუ 1953. 1961—64 თსუ-ის დოცენტი, 1964-იდან თსუ-ის პრობლემური ლაბორ. განყ-ბის გამგე. 1974-იდან კათედრის გამგე, 1976-იდან — პროფესორი. 1973 მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია ნაშრომთა ციკლისათვის: π-მეზონების შთანთქმის თეორიაში, ხოლო 1977—სსრკ სახელმწ. პრემია ნაშრომთა ციკლისათვის ბირთვების მიერ γ-კვანტების შთანთქმის თეორიაში.

თხზ.: დაჯახებათა თეორიის საფუძვლები, თბ., 1975.

კოპალინი ილია პეტრეს ძე [20. VII (2. VIII). 1900, სოფ. პავლოვსკაია, ახლანდ. ისტრის რ-ნი, მოსკ. ოლქი, — 12. VI. 1976, მოსკოვი], საბჭ. კინორეჟისორ-დოკუმენტალისტი, სსრკ სახ. არტისტი (1968). სკკპ წევრი 1940-იდან. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1942, 1946, 1948 1949, 1951). კინოში მუშაობა დაიწყო 1925 ძ. ვერტოვის ხელმძღვანელობით. 1927-იდან დამოუკიდებლად ქმნის დოკუმენტურ ფილმებს: „ლენინის გზით" (1929—37), „ლენინი" (1938, ი. სეტკინასთან ერთად), „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვთან" (1942, ლ. ვარლამოვთან ერთად), „დაუვიწყარი წლები" (1957), „პირველი რეისი ვარსკვლავებისკენ" — ფილმი მფრინავ-კოსმონავტ ი. გაგარინზე (1961, დ. ბოგოლეპოვთან და გ. კოსენკოსთან ერთად), „უკვდავების ფურცლები" (1965) და სხვ. 1950-იდან კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის პედაგოგი (1964-იდან პროფესორი). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Рассказ о творческом пути, [М., 1966].

კოპანი (Copán), ძვ. ქალაქი ჰონდურასის ტერიტორიაზე (სახელი პირობითად ეწოდა ნანგრევების მახლობლად მდებარე ახლანდ. სოფლის მიხედვით). ქალაქი არსებობდა ძვ. წ. პირველი საუკუნეებიდან. აყვავების ხანაში, VII—VIII სს-ში, დამოუკიდებელი პოლიტ. გაერთიანების *მაიას* ცენტრს წარმოადგენდა. კ-ის დაცემა ალბათ დაკავშირებული იყო მაიას ქალაქ-სახელმწიფოების საერთო კრიზისთან IX ს-ში. XIX ს. 90-იან და XX ს. 30—40-იან წლებში ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგად გამოვლინდა მრავალი ქანდაკება და არქიტ. ძეგლი, ჰორელიეფური გამოსახულებებით შემკული სვეტები. ნაგებობათა ცენტრალური კომპლექსი („იეროგლიფურ კიბეებიანი" ტაძრები, VIII ს. II ნახ. სასახლე) განლაგებული იყო უზარმაზარ ხელოვნურ ბორცვზე. ამჟამად კ. არქეოლ. ნაკრძალია. არქიტ. მრავალი ძეგლი აღდგენილია.

კოპე (Coppée) ფრანსუა ედუარ ჟოაკენ [12 (ან 26). I. 1842, პარიზი, — 23. V. 1908, იქვე], ფრანგი მწერალი. საფრ. აკად. წევრი 1884-იდან. განიცდიდა პარნასელ პოეტთა გავლენას. პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია „საგანძური" (1865), „ინტიმურობა" (1868). კ. წერდა ეპიგონურ დრამებს ისტ. თემებზე („სევერო ტორელი", 1883; „გვირგვინისთვის", 1895). კ-ს მხატვრული მანერა ეკლექტიკურია, ცდილობს ერთმანეთს შეუხამოს რომანტ. დრამის სულისკვეთება და კლასიცისტური ტრაგედიის ფორმა.

კოპეისკი, ქალაქი (1933-იდან) რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში. მდებარეობს ურალის აღმ. კალთაზე, რკინიგზის სადგ. ჩელიაბინსკიდან 18 *კმ*. 146 ათ. მცხ. (1979). მანქანათსაშ. ქ-ნები, გამამდიდრებელი და სამკერვალო ფ-კები, ავეჯის კომბინატი. ჩელიაბინსკის პოლიტექ. ინ-ტის და სვერდლოვსკის სამთო ინ-ტის სალაბორატორიო განყ-ბები, სამთო და მსუბუქი მრეწვ. ტექნიკუმები, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

კოპენჰაგენი (København), დანიის დედაქალაქი, ქვეყნის უდიდესი პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცენტრი. გაშენებულია ერესუნის სრუტის დას. ნაპირზე; უმეტესი ნაწილი კ. ზელანდიაზეა, უმცირესი — კ. ამაგერზე. ჰავა ზომიერია, ზღვისა. იცის თბილი, არამდგრადი ზამთარი, გრილი ზაფხული. იანვ. საშ. ტემპ-რა — 0,4°C, ივლ. 16,7°C. ნალექები 530 *მმ* წელიწადში. კ. გარეუბნებსა და ქალაქ-თანამგზავრებთან ერთად ქმნის დიდ კ-ს, რ-იც გამოყოფილია ცალკე ადმ. ერთეულად — ამტად. 1,4 მლნ-ზე მეტი მცხ. (1978), ქვეყნის მოსახლ. დაახლ. 30%.

ქალაქს მართავს არჩევითი ორგანო — ქალაქის საბჭო (ირჩევს მოსახლ. 4 წლით), რ-იც თავის მხრივ ირჩევს აღმასრ. ორგანოს (მაგისტრატს) და ობერ-ბურგომისტრს. საბჭოს საქმიანობას ზედამხედველობას უწევს მთავრობის მიერ დანიშნული ამტმანი.

წყაროებში პირველად იხსენიება 1043 როგორც მეთევზეთა სოფ. ჰავნი (havn — ნავსადგური). 1170-იდან დაერქვა კ. („ვაჭართა ნავსადგური"). 1186—1416 (დროგამოშვებით) ეკუთვნოდა როსკილეს საეპისკოპოსოს, არაერთხელ ააოხრა *ჰანზამ*. 1254 მიიღო ქალაქის სტატუტი. 1422-იდან ფართო პრივილეგიებით სარგებლობდა, ხოლო 1433-იდან მეფის რეზიდენციად იქცა. დანია-შვეციის ომში (1658—60) შეუპოვარი თავდაცვისათვის ახ. პრივილეგიები მიენიჭა — კ-ის მოქალაქეები უფლებრივად აზნაურებს გაუთანაბრდნენ. XVIII ს-ში დანიის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. XIX ს-ში დაქვეითდა. XIX ს. II ნახევრიდან იწყება კ-ის ეკონ. აღორძინება და რეკონსტრუქცია. XX ს-ში მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრი გახდა. 1940 აპრ. ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ. გაათავისუფლეს წინააღმდეგობის მოძრაობის რაზმებმა და ინგლ. შეიარაღებულმა ძალებმა 1945 წ. 5 მაისს.

კ. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია. დიდი ნავსადგური, სარკინიგზო კვანძი, საერთაშ. მნიშვნელობის აეროპორტი (კასტრუპი). განვითარებულია მანქანათმშ., განსაკუთრებით გემთმშენებლობა, აგრეთვე ელექტრომოწყობილობის, მაცივრების, სას.-სამ. მანქანების და სხვა წარმოება, ავტომობილების აწყობა. ქიმ., ქაღალდის, ცემენტის, მსუბუქი და კვების მრეწვ. საწარმოები. ფაიფურისა და ქაშანურის ნაკეთობათა ტრად. წარმოება. კ. დანიის საფინანსო კაპიტალის ცენტრია, აქ არის სავაჭრო, დანიის სას.-სამ. და სხვა ბანკები, დიდ სამრეწვ. და სავაჭრო კომპანიათა გამგეობები.

ქალაქის ძვ. ნაწილი განლაგებულია კ. ზელანდიასა და კ. ამაგერზე, სრუტის სანაპირო ზონაში და სხვა პატარა კ-ებზე. მის ცენტრში, კ. სლოტსჰოლმენზე, მდებარეობს: სასახლე-პარლამენტი კრისტიანსბორგი (1733—40, არქიტ. ე. დ. ჰოისერი), დან. რენესანსის სტილის ბირჟა (1619—40, არქიტ. ლ. და ჰ. სტენვინკელები), თორვალდსენის კლასიციზმისტური მუზეუმი (1839—48, არქიტ. მ. გ. ბინესბელი). კ. ზელანდიაზეა დან. რენესანსის სტილის როსენბორგის სასახლე (1606—34, არქიტ. ლ. და ჰ. სტენვინკელები), ციტადელი (1661), ბაროკის სტილის სასახლე შარლოტენბორგი (ახლა ნატიფი ხელოვნ. სამეფო აკად. შენობა; 1672—77, არქიტ. ლ. ჰავენი) და სხვ. კ. ამაგერზე, კრისტიანსჰავნის რ-ნში (დაარსდა 1618), განლაგებულია ეკლესია ფრელსერს-კირკე (1682—96, არქიტ. ლ. ჰავენი), ძვ. და ახ. საპორტო და საცხოვრ. ნაგებობანი. XX ს. დასაწყისიდან კ. იზრდება რადიალურად, ერწყმის გარეუბნებს. აღსანიშნავია: გრუნდტვიგის ეკლესია (1921—40, არქიტ. პ. იენსენ-კლინტი და კ. კლინტი), რადიოცენტრის კომპლექსი (1938—45, არქიტ. ვ. თ. ლაურიტსენი).

კ-ში არის *კოპენჰაგენის უნივერსიტეტი*, ვეტ. და სას.-სამ. სამეფო უმაღლესი სკოლა, დან. საინჟინრო აკად., დან. უმაღლესი ტექ. სკოლა, დან. ნატიფი ხელოვნ. სამეფო აკად., დან. მუს. სამეფო აკად., დან. სამეფო კონსერვატორია და სხვა უმაღლესი სასწავლებლები; სამეცნ. დაწესებულებანი: დან. მეცნიერებათა დ. ლიტ-რის სამეფო აკადემია, დან. ტექ. მეცნ. აკად. და სხვ.; ეროვნ. (სამეფო), მუნიციპალური, საჯარო და სხვა ბ-კები; ეროვნ., ქალაქის, სამეფო საზღვაო, დან. დეკორ. ხელოვნ., 1940—45 წინააღმდეგობის მოძრაობის, სახელმწ. სამხატვრო, ზოოლ., თეატრ. ისტ., მუს. ისტ., თორვალდსენისა და სხვა მუზეუმები; სამეფო (დრამა, ოპერა, ბალეტი) თეატრი, დრამ. თეატრები: სახალხო, „ახალი", „ნიუ სკალა", „ახალგაზრდობის თეატრი", „გლადსაქს-თეატერი"

კოპენჰაგენის საენათმეცნიერო სკოლა, სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობა. ჩამოყალიბდა 1931. საფუძველი ჩაუყარეს ლ. *იელმსლევმა*, ჰ. ულდალმა და ვ. *ბრენდალმა*. ამ სკოლის ძირითადი ენათმეცნიერული თეორიაა *გლოსემატიკა*. კ. ს. ს-ის ენათმეცნიერები დამოუკიდებელი მოაზროვნეები უფრო იყვნენ, ვიდრე ერთიანი კონცეფციის მიმდევრები. კ. ს. ს-ის შრომები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში: „Bulletin du Cercle Linguistique de Copenhague" (1934-იდან), „Acta Linguistica" (1939-იდან; 1968-იდან „Acta Linguistica Hafniensia" ჰქვია) და არაპერიოდულ გამოცემაში „Travaux du Cercle Linguistique de Copenhague" (1944-იდან).

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები, თბ., 1974.

კოპენჰაგენის უნივერსიტეტი, დანიის ერთ-ერთი უძველესი უნ-ტი. დაარსდა 1479; უნ-ტში სწავლების ვადა განსაზღვრული არ არის. დასკვნით გამოცდას, როგორც წესი, აბარებენ სწავლების 5 ან 6 წლის შემდეგ. 1978 უნ-ტში იყო თეოლ., იურიდ., სამედ., ფილოს., მათ. და ბუნებისმეტყველების ფაკ-ტები; უნ-ტთან არის სამეცნ.-კვლ. ცენტრები: ნილს ბორის ინ-ტი, მათ. ინ-ტი, ანატ. ინ-ტი, სწავლობდა 20 ათ. სტუდენტი, მუშაობდა 177 პროფესორი, უნ-ტის ბ-კა-ში (დაარსდა 1482) 900 ათ-ზე მეტი წიგნია.

კოპერმაინი (Coppermine), მდინარე ჩრდ. კანადაში. სიგრძე დაახლ. 840 *კმ*. სათავე აქვს გრის ტბაში. მიედინება ტუნდრაში. ერთვის ჩრდ. ყინულოვანი ოკეანის კორონეიშენის ყურეს. უმთავრესად საზრდოობს თოვლის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში. ნახევარი წლის მანძილზე დაფარულია ყინულით. შესართავთან არის დასახლ. პუნქტი კოპერმაინი.

კოპერნიკი (Kopernik, Copernicus) ნიკოლოზ (მიკოლაი) (19. II. 1473, ტორუნი, — 24. V. 1543, ფრომბორკი), პოლონელი ასტრონომი, *სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის* შემქმნელი. დაიბადა ვაჭრის ოჯახში. სწავლობდა კრაკოვის უნ-ტში (1491—95), აგრეთვე იტალიის უნ-ტებში: ბოლონიაში, პადუაში, ფერარაში, სადაც ასტრონომიასთან ერთად მედიცინასა და სამართალს ეუფლებოდა. 24 წლისა აირჩიეს კანონიკოსად. 1503 დაბრუნდა სამშობლოში, ქ. ლიძბარკში. 1512 დასახლდა ქ. ფრომბორკში, სადაც 30 წელზე მეტ ხანს იცხოვრა. ახლაც ხშირად ნახულობენ ტურისტები ქალაქის ციხესიმაგრის ერთ-ერთ კოშკს, სადაც კ. ცხოვრობდა და იქკე მოწყობილი ობსერვატორიიდან მნათობთა მდებარეობებს აკვირდებოდა.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კ. ჩაბმული იყო აქტიურ საზ. ცხოვრებაში. მოღვაწეობას ეწეოდა რო-

გორც ექიმი, ეკონომისტი, ასტრონომი და სხვ. მისი მთავარი დამსახურებაა სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის შექმნა. სამყაროს გეოცენტრული სისტემის რევიზიის შედეგად, რაც კ-ის წინა პერიოდში დაიწყო და მსოფლიო ისტორიაში გეოგრ. აღმოჩენებით და სხვა მოვლენებით გამოწვეული დიდი გარდატეხის ეპოქას თანხვდა, კ-მა ცაზე დაკვირვებული მოვლენები აღწერა მზესთან დაკავშირებული ათელის ახ. სისტემის თვალსაზრისით: აღიარა, რომ მზე წარმოადგენს დედამიწის წრიული მოქცევის ცენტრს, და სხვა პლანეტებიც მზეს გარემოექცევიან. ამით მან მოხსნა ყველა შეუსაბამობა დაკვირვებულსა და გეოცენტრული თეორიით ნაკარნახევ შედეგებს შორის, რაც იმ დროისათვის გამოავლინა ცის მოვლენების გახშირებულმა დაკვირვებებმა. ადრე მოფიქრებული მოძღვრება მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა თხზულებაში „ცის სფეროების გარემოქცევათა თაობაზე" (De revolutionibus orbium coelestium). რ-იც გამოქვეყნდა 1543, მისი სიკვდილის წინა დღეებში. წიგნს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ, დედამიწა, რ-იც მანამდე სამყაროს შუაგულში მოთავსებულ განსაკუთრებულ სხეულად წარმოედგინათ, კ-ის მოძღვრების მიხედვით, რიგით პლანეტებთან იქნა გათანაბრებული; გამოირკვა, რომ დედამიწა და ცის სხეულები ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან; წამოიჭრა სამყაროს ერთიანობის იდეა.

კ-მა პირველმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მეცნ. თეორიები საგნების ჭეშმარიტ ბუნებას უნდა შეეფერებოდეს და არა საღვთო წერილს. მისი მოძღვრება საფუძველს ურყევდა რელიგ. მსოფლმხედველობას.

კ-ის რევ. შეხედულებები კათოლ. ეკლესიამ მიიღო როგორც გამოწვევა ბრძოლაში. 1616 ეკლესიამ აკრძალა კ-ის წიგნი (აკრძალული იყო 1828-მდე).

საქართველოში კ-ის სახელი პირველად მოხსენიებული აქვს ანტონ I-ს (1720—88) სხვადასხვა თხზულებაში, კერძოდ, „სწავლათა კიდობანში", რ-იც 1818 რუსულად ითარგმნა.

ლიტ. ჯ ი ქ ი ა დ . კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა ბ . კოპერნიკის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ , 1973. Николай Коперник. Сб ст и материалов К 410-летию со дня смерти (1543 —1953), М , 1955

კოპიტი, ხე ზეთისხილისებრთა ოჯახისა. იგივეა. *რაც იხილე.*

კოპიტი, აფხ. ასსრ ოჩამჩირის რ-ნის სოფლების *პირველი კოპიტისა* და *მეორე კოპიტის* ძვ. სახელწოდება.

კოპიჰოლდი (ინგლ. copyhold<copy — პირი, ასლი, hold — მფლობელობა), ფეოდალური საგლეხო მიწის მფლობელობის ფორმა შუა საუკუნეების ინგლისში XIV—XV სს. გლეხს — კოპიჰოლდერს მიწის მფლობელობისათვის საბუთად ეძლეოდა ოქმის ამონაწერის ასლი. კ-ს ნახევრად მემკვიდრეობითი ხასიათი ჰქონდა (კოპიჰოლდერი მიწას ფლობდა თავისი ცოლ-შვილის სიცოცხლის განმავლობაში). XVI ს-იდან დაიწყო კოპიჰოლდერთა გაბატონება, თუმცა XX ს. პირველ მეოთხედში ინგლისში კიდევ იყო შემორჩენილი. კ. 1925 გაუქმდა იურიდიულად.

კოპლენიგი (Koplenig) იოჰან (15. V. 1891, სანქტ-ლორენცენი, კარინთია, — 13. XII. 1968, ვენა), ავსტრიის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1909-იდან ავსტრ. ს.-დ. პარტიის წევრი. სამხ. ტყვედ მოხვდა რუსეთში (1915). 1918-იდან კომუნისტი. 1920 დაბრუნდა ავსტრიაში. 1922 აირჩიეს ავსტრიის კომპარტიის (აკპ) ცკ-ის წევრად, ხოლო 1924 აკპ-ის ცკ-ის გენ. მდივნად. დიდი მუშაობა ჩაატარა აკპ-ის რიგების შესამჭიდროებლად მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტ. ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე. 1928-იდან კომინტერნის აღმასრ. კომიტეტის (კიაკ), ხოლო 1935—43 მისი პრეზიდიუმის წევრი. 1945 —65 აკპ-ის თავ-რე, 1965 მაისიდან — საპატიო თავ-რე. 1945 ავსტრიის დროებითი მთავრობის ვიცე-კანცლერი. 1945—59 ავსტრიის პარლამენტის დეპუტატი. ავტორია შრომებისა ავსტრიისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის შესახებ.

კოპარი (პორტუგ. copra<მალაიურიდან), *ქოქოსის პალმის* კაკლის მზეზე გამხმარი ზეთოვანი ენდოსპერმი. შეიცავს წყალს (5,8 %), ცხიმებს (67%), ნახშირწყლებსა (16,5%) და ცილებს (8,9%). მისგან იღებენ ადვილად დნობად საჭმელ და ტექ. ზეთს, რ-საც იყენებენ საპნის წარმოებაში. კოპტონს საქონლის საკვებად ხმარობენ. კ-ს ძირითადად აწარმოებენ სამხრ.-აღმ. აზიის ქვეყნებში, ოკეანეთსა და აფრიკაში.

კოპროლითი (ბერძნ. kopros — განავალი და lithos — ქვა), ნამარხი ცხოველების ვაქვავებული ექსკრემენტი.

კოპრშივნიცე (Kopřivnice), ქალაქი ჩეხოსლოვაკიაში, ჩეხიის სრ-ში, ჩრდ. მორავიის ოლქში. 14 ათ. მცხ. (1975). სამრეწვ. ცენტრი ქ. ოსტრავის მახლობლად. დიდი საავტ. ქ-ნა „ტატრა" (უმთავრესად მძიმე სატვირთო მანქანები).

კოპტები, ქრისტიანობის მიმდევარი ეგვიპტელები. ცხოვრობენ ძირითადად ეგვიპტის ქ-ებში (ასიუტი, აპმიმი, კაირო და სხვ.). კ-ის მცირე თემებია სუდანში, თურქეთში, ისრაელში, იორდანიაში, ერაყში, ქუვეითსა და სხვ. საერთო რაოდ. 2 მლნ. კაცზე მეტი (1975, შეფასება). ლაპარაკობენ არაბ. ენაზე (ძვ. კოპტური ენა შემორჩა როგორც საეკლესიო). კ-ის ძირითადი მასა განეკუთვნება მონოფიზიტური მიმართულების კოპტურ ეკლესიას, რ-იც ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტეში V ს-იდან არაბთა დაპყრობებამდე (639—42). მუსლიმანი დამპყრობლები სხვადასხვა ადმ. და ეკონ. საშუალებით ცდილობდნენ ადგილ. მოსახლეობის ისლამიზაციას: მონასტრების მიწები გადაეცა მეჩეთებს, ქრისტიანთა გადასახადები გაიზარდა და სხვ. ამის გამო ქრისტიანობა შეინარჩუნა მხოლოდ მიწის გადასახადებისაგან თავისუფალ მოქალაქეთა ნაწილმა. კ-ში ქრისტიანობამ ისლამის ზოგიერთი ნიშანი მიიღო: აღმ-კენ პირმიბრუნებული ლოცვა, ეკლესიაში თავსაბურავით შესვლა, ფეხსაცმლის გახდა და სხვ. კ-ის ეკლესიას აქვს თავისი ტაძრები, მონასტრები, სკოლები, რ-თაც პატრიარქი მეთაურობს. მისდევენ ხელოსნობას, ვაჭრობას, მიწათმოქმედებას. კ-ის კალენდარით წელთაღრიცხვა იწყება 284 წ. 29 აგვისტოდან.

კ-მა IV—VII სს-ში არაბების შემოსევამდე, შექმნეს თავისებური ხელოვნება, რ-შიც გაერთიანდა ძვ. ეგვ. კულტ. მემკვიდრეობა და ანტიკურობა. ხუროთმოძღვრებაში ძირითადად გავრცელებულია ბაზილიკა, გუმბათიანი სამარხები, 2 ან 4-სართულიანი საცხოვრ. სახლები. სახვ. ხელოვნებაში განვითარებული იყო ხისა და ქვის რელიეფები, მოხატულობები, მინიატიურა, ცვილის ფერწერა ხეზე. დეკორ. ხელოვნებაში — ძვლისა და ხის კვეთა, მაღალშბატვრული ქსოვა. კ-ის ხელოვნებაში IV ს. და V ს. დასაწყისის (ჟანრული და ელინისტური მითოლოგიიდან ნასესხები) რეალისტური სახეები V—VI სს-ში შეცვალა ქრისტ. სიუჟეტებზე შექმნილმა პირობითმა გამოსახულებებმა. VI ს. დასასრულს და VII ს. დასაწყისში გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის ხელოვნ. მოტივები.

კოპტიაევა ანტონინა დიმიტრის ასული [დ. 25. X (7. XI). 1909, საბადო იუჟნი, ახლანდ. ზეისკის რ-ნი, ამურის ოლქი], რუსი საბჭ. მწერალი. თხზულებებს აქვეყნებს 1935-იდან. 1936 გამოვიდა მისი პირველი მოთხრობა „კოლიმის ოქრო". კ-ს ნაწარმოებები ასახავს მუშების, მეშახტეების, ოქროს მაძიებლების (ნარკვევების კრებ. „ალდანის თქმულებები", 1937), ნავთობის მომპოვებლების (რომანი „მიწის საჩუქარი", 1963) შრომას; სიყვარულის, ქორწინების, ოჯახის პრობლემებს (რომანი „ამხანაგი ანა", 1946). ავტორია ტრილოგიისა „ივანე ივანეს ძე" (1949; სსრკ სახელმწ. პრემია, 1950), „მეგობრობა" (1954), „შემართება" (1958). დაჯილდოებულია 2 ორდენით და მედლებით.

კოპტონი, ზეთსახდელი წარმოების თანაპროდუქტი, რ-იც ზეთოვანი მცენარეებისაგან ზეთის გამოწურვის შემდეგ მიიღება. კ-ს ამზადებენ მრგვალ ან სწორკუთხა ფილებად, რ-თა სისქეა 25—44 *მმ.* განასხვავებენ მზესუმზირის, ბამბის, სელის, სოიის, სიმინდის, არაქისის, პალმის და სხვ. ნედლეულისაგან მიღებულ კ-ს, რ-ის შემადგენლობაში შედის (პროცენტობით), 8—12 ტენი, 18—45 ნედლი პროტეინი, 5—12 ნედლი ცხიმი, 6—28 უჯრედისი, 12—43 უენი (უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერება), 0,30—0,35 კალციუმი, 0,8—1 ფოსფორი. კ-ის ყუათიანობა — 0,65—1,2 საკვებ ერთეულს შორის მერყეობს. კ-ს, როგორც კონცენტრულ საკვებს, ფართოდ იყენებენ მეცხოველეობაში, განსაკუთრებით პროტეინისა და ფოსფორის შემცველობის მიხედვით ულუფის დასაბალანსებლად. *ა. ჯანელიძე.*

კოპტური დამწერლობა, ეგვიპტური ანბანური დამწერლობა. რ-საც საფუძვლად უდევს ბერძნული ანბანი და დამატებული აქვს 6—8 ნიშანი დემოტიკური დამწერლობიდან. ჩაისახა ახ. წ. პირველ საუკუნეებში. თავდაპირველად იყენებდნენ ეგვ. მაგიური ტექსტების ჩასაწერად. II—III სს-ში, როცა ბერძნულიდან კოპტურ ენაზე ითარგმნა ბიბლია, კ. დ-მ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. კოპტური ენის კვდომასთან ერთად (XI—XII სს.) კ. დ-ც გამოვიდა ყოველდღიური ხმარებიდან და მხოლოდ რელიგ. შინაარსის ტექსტებს შემორჩა.

კოპტური ენა, აწ მკვდარი ენა. ეგვ. ენის განვითარების ბოლო საფეხური. ტიპოლოგიურად ანალიზური ენაა. ლექსიკაში დიდი რაოდენობითაა ბერძნ. სიტყვები. ჰქონდა საკუთარი დამწერლობა (იხ. *კოპტური დამწერლობა*). მოსახლეობა კ. ე-ზე ლაპარაკობდა დაახლ. I ათასწლეულის განმავლობაში. XI—XII სს-ში განდევნა არაბ. ენამ და მხოლოდ ქრისტიან არაბთა შორის არის დაცული, როგორც რელიგიის (საკულტო) ენა. კ. ე-ს ჰქონდა 5 ძირითადი დიალექტი, საპიდური დიალექტი საფუძვლად ედო IV—XI სს. სალიტ. ენას.

ლიტ.. Е л а н с к а я А И , Коптский язык, М , 1964

კოპტური ლიტერატურა, ქრისტიანი ეგვიპტელების — კოპტების ლიტერატურა. შეიქმნა ეგვიპტეში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად. კ. ლ-ის ადრეული ძეგლები ბერძნულ საღვთო წერილთა თარგმანებია (IV ს.). კ. ლ-ის ორიგინ. ძეგლების ავტორები არიან ეგვ. კულტ. კერების—მსოფლიოში პირველი მონასტრების დამაარსებელი, წინამძღვარი პახომი და მისი მოწაფეები თეოდორე და ხორსიესე (IV ს.). ეს ძეგლებია სამონასტრო წესდებანი და მოძღვრებანი. მნიშვნელოვანი საისტ. წყაროა ისტ. მოღვაწის შენუტეს (გ. 451) თხზულებანი. ცნობილია მისი მოწაფის ბესას ეპისტოლენი, ქადაგებანი და შენუტეს ზღაპრულ-ლეგენდარული ბიოგრაფია. კოპტურ ენაზე შექმნილმა მდიდარმა ჰაგიოგრაფიულმა ლიტ-რამ გავლენა მოახდინა შუა საუკ. ევრ., განსაკუთრებით კიბიზანტ. ლიტ-რაზე. არაბთაგან ეგვიპტის დაპყრობის (VII ს.) შემდეგ კ. ლ. უფრო ხალხური გახდა. საყურადღებოა ისტ. რომანი სპარსეთის მეფის კამბისეს შესახებ. X ს-ში აყვავდა კოპტური პოეზია, შეიქმნა ზღაპრული და დიდაქტ. ხასიათის ჰიმნები; აღსანიშნავია ხუმისის ლექსთა კრებული.

ლექსწყობის საფუძველი კ. ლ-ში წმინდა ეგვიპტური იყო: ურითმო ტონური ლექსები, რ-ებშიც ხშირად იყენებდნენ რეფ-

ნ. კოპერნიკი.

ი. კოპლენიგი.

კოპტები. ღვთაება ნილოსი. ქსოვილი. IV ს. ა. პუშკინის სახ. სახვითი ხელოვნების მუზეუმი. მოსკოვი.

კოპტები. ღვთაება პორა შუბით კლავს ნიანგს. რელიეფი. ქვა. IV ს. ლუვრი. პარიზი.





რი ან ნიჩბისებური, ფოთლების სიგრძე 20—50 *სმ* და მეტი იყო. გამრავლების ორგანოები შეკრებილი ჰქონდათ სტრობილებისაგან შემდგარ მჭადასებრ ყვავილედებად.

კ. წარმოიშვა პროგიმნოსპერმების ტიპის მცენარეებისაგან და შესაძლოა დასაბამი მისცეს წიწვოვნებს. კარბონული და პერმული პერიოდის დასაწყისში კ. გავრცელებული იყო ტროპ. ევრამერიკულ და არატროპ. ანგარულ ანუ ტუნგუსურ ოლქსა და გონდვანაში. გვიანდ. პერმულ ეპოქაში დიდი რაოდენობით იყო მხოლოდ ანგარულ ოლქში. კ-ის ფოთლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სტრატიგრაფიისათვის.

კორდე, კ ო რ დ ე დ' ა რ მ ო ნ ი (Corday d'Armont) შარლოტ (27. VII. 1768, სენ-სატიურნენ-დე-ლინიერი, — 17. VII. 1793, პარიზი), ჟ. პ. *მარატის* მკვლელი ქალი. მოექცა *ჟირონდისტების* გავლენის ქვეშ, რ-ებმაც *იაკობინელთა დიქტატურის* მოსასპობად 1793 ივნ. კანში კონტრრევოლუციის ცენტრი მოაწყვეს. კ. ჩავიდა პარიზში და ვითომდა კანის შეთქმულთა გამოსაშკარავებლად მოახერხა 1793 წ. 13 ივლ. ავადმყოფი მარატის სახლში შეღწევა და მისი მოკვლა. რევ. ტრიბუნალის განაჩენით თავი მოჭრეთეს გილიოტინით.

კორდებალეტი (ფრანგ. corps de ballet <corps — პირადი შემადგენლობა და ballet — ბალეტი), ჯგუფური და მასობრივი ცეკვების შემსრულებელ მოცეკვავე ქალთა და მამაკაცთა კოლექტივი ოპერისა და ბალეტის თეატრში, თავისებური „საბალეტო გუნდი". საბჭ. ბალეტში ხალხ. მასობრივი სცენების ფართო დამუშავებამ ხელი შეუწყო კ-ის როლის გაძლიერებას.

კორდელიერები (Cordeliers), საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი პოლიტიკური კლუბის წევრები. კლუბის ოფიც. სახელწ. იყო „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საზოგადოება" (კ. ეწოდებათ იმის გამო, რომ სხდომებს ატარებდნენ ფრანციսკელ-კორდელიერთა ყოფილი მონასტრის შენობაში პარიზში). დაარსდა 1790 ივლისში. იარსება 1794-მდე. კლუბში დიდი გავლენით სარგებლობდნენ მემარცხენე დემოკრატები. კლუბის წევრები იყვნენ ჟ. პ. *მარატი*, ჟ. *დანტონი*, კ. *დემულენი*, ჟ. რ. *ებერი*, ა. მომორო და სხვ. 1791 ზაფხულში პოლიტ. კრიზისის დროს, რაც *ლუი XVI-ის* ვარენში გაქცევამ გამოიწვია, კ. სათავეში ჩაუდგნენ რესპ. მოძრაობას. 1792 წ. 10 აგვ. სახ. აჯანყების შემდეგ კ. აქტიურად მონაწილეობდნენ ჟირონდისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1793—94 კ-ის კლუბი *ებერტისტების* ცენტრად იქცა.

კორდი (ფრანგ. corde — თოკი, ზონარი), 1. ბამბის ან ქიმიური ბოჭკოს დიდი სიმტკიცის დაგრეხილი ძაფი, რ-საც ავტოკორდის, კორდ-ზონარის და ზოგიერთი სხვა საფეიქრო ნაწარმის დასამზადებლად იყენებენ. 2. განსაკუთრებულხლართებიანი შალის ქსოვილი. მისგან კერავენ კაბებს, კოსტიუმებს, პალტოებს, მსუბუქი მანქანის საჯდომთა გადასაკრავებს.

კორდი, ნიადაგის ზედა ფენა, რ-იც დაქსელილია მრავალწლოვანი ბალახის ცოცხალი და მკვდარი ფესვებით, ყლორტებითა და ფესურებით. კ. ხელს უშლის წყლის ზედაპირულ ჩამოდენას, ნთქავს და აკავებს მას, იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისა და ქარისმიერი ეროზიისაგან. არჩევენ ბუნებრივ (ყამირი და ნასვენი მიწები) და ხელოვნურ კ-ს. ეს უკანასკნელი წარმოიქმნება მინდვრად მრავალწლოვანი პარკოსანი და მარცვლოვანი ნარევების თესვით. მოჭრილ კ-ს ფართოდ იყენებენ მწვანე მშენებლობაში გაზონების სწრაფად მოსაწყობად.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები, ნ ე შ ო მ პ ა ლ ა-კ ა რ ბ ო ნ ა ტ უ ლ ი ნ ი ა დ ა გ ე ბ ი, რ ე ნ ძ ი ნ ე ბ ი, ნიადაგის ტიპი, რ-იც წარმოქმნილია კარბონატულ ქანებზე (კირქვები, მერგელები, დოლომიტები და სხვ.), წიწვიან, შერეულ და ფართოფოთლოვან ტყეებში ჩარეცხვისა და ნახევრადჩარეცხვის წყლის რეჟიმის პირობებში. განასხვავებენ კ.-კ. ნ-ის 3 ქვეტიპს: ტიპობრივს, გამოტუტულს და გაეწრებულს. ჰუმუსის შემცველობის მიხედვით გამოყოფენ ნეშომპალიანს (>12%-ზე), ჭარბჰუმუსიანს (5—12%), საშუალოჰუმუსიანს (3—5%), მცირეჰუმუსიანს (<3%). ჰუმუსიანი ფენის სისქის მიხედვით — მცირე სისქის (<15—20 *სმ*), საშ. სისქის (>15 *სმ*). მექან. შედგენილობის მიხედვით — თიხიანს, თიხნარს და ქვიშნარს. ხირხატიანობის მიხედვით — ძლიერ, საშ. და მცირეხირხატიანს.

ტიპობრივი კ.-კ. ნ-ის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია ინტრაზონალური ბუნება, A ჰუმუსიანი ჰორიზონტის განვითარება უშუალოდ დედაქანზე, სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქცია, ჰუმუსის დიდი რაოდენობა (6—15%), შთანთქმული ფუძეებით (Ca, Mg) სამაძღრე, მძიმე თიხნარი ან თიხიანი მექან. შედგენილობა, მტკიცე მარცვლოვანი სტრუქტურა, უმეტესად ხირხატიანობა, დიდი ბიოლ. და მიკრობიოლ. აქტივობა, მცენარის საკვები ნივთიერების (ფოსფორის, აზოტის, კალიუმის) მნიშვნელოვანი მარაგი, HCl-ის მოქმედებით მხოლოდ ხირხატის შხუილი და სხვ.

გამოტუტული კ.-კ. ნ. შეიცავს შედარებით მცირე ჰუმუსს, ნაკლებ საკვებ ნივთიერებებს და შთანთქმულ კათიონებს, აქვს სუსტი მჟავე კ ნეიტრალური რეაქცია, ახასიათებს დიფერენცირებული პროფილი.

კ.-კ. ნ. გავრცელებულია სსრკ ევრ. ნაწილის ტაიგისა და ტყე-ველის ზონებში, ციმბირში. შედარებით დიდი მასივების სახით გვხვდება ბალტიისპირეთში, ლენინგრ., ფსკოვის, ვოლოგდის, პერმისა და კიროვის ოლქებში. საქართველოში გვხვდება ეწერების, ყვითელმიწების, მთა-ტყისა და მთისწინების ნიადაგების ზონებში (აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, კახეთში, სამხრ. ოსეთში და სხვ.). დედაქანის კარბონატულობის, მცენარეული საფარის, რელიეფის, ეროზიულობის ხარისხის, განვითარების სტადიებისა და სხვა პირობების მიხედვით კ.-კ. ნ-ს საგრძნობი სიჭრელე და კომპლექსურობა ახასიათებს. ამ ნიადაგებს (განსაკუთრებით მათ ღრმა სახესხვაობებს) დიდი პრაქტ. გამოყენება აქვს მიწათმოქმედებაში. აღმ. საქართველოს მთისწინებსა და მთა-ტყის ზონებში ეს ნიადაგები საუკეთესოა ვაზის კულტურისათვის, ხოლო დას. საქართველოში მასზე გაშენებულია ციტრუსების (ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი), ზეთისხილის, თამბაქოს, დაფნის პლანტაციები. მთა-ტყის ზონის კ.-კ. ნ-ის ნაყოფიერების გასადიდებლად მიმართავენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე თ., საქართველოს ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, თბ., 1977.

თ. ჩხეიძე.

კორდიერიტი [სახელი ეწოდა ფრანგი გეოლოგის პ. კორდიეს (P. Cordier) პატივსაცემად], სილიკატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $(Mg, Fe)_2Al_3[AlSi_5O_{18}]$. კრისტალდება რომბულ სინგონიაში. გვხვდება პრიზმული კრისტალებისა და ქსენომორფული გროვების სახით. ახასიათებს მარტივი და რთული მრჩობლები. მოცისფრო-მონაცრისფრო, ცისფერი, მოიისფრო ან უფერულია. სიმაგრე მინეროლოგიური სკალით 7,0—7,5; სიმკვრივე 2600—2660 *კგ/მ*³. კ. წარმოიქმნება მაგნიუმითა და ალუმინით მდიდარი ქანების მაღალტემპ-რული კონტაქტური და რეგიონული მეტამორფიზმის შედეგად.

კორდილიერა (ესპ. cordillera — მთაგრეხილი), კუნძულთა ვიწრო მწკრივი (პატარა, ჩვეულებრივ, კლდოვან კუნძულთა არქიპელაგი), რ-იც ტექტონიკურად გეოანტიკლინური აზევების თხემურ ნაწილს წარმოადგენს. ჩნდება *გეოსინკლინის* განვითარების საწყის სტადიაზე და მაქს. გავრცელებას აღწევს მისი მოწიფულობის პერიოდში. ფიქრობენ, რომ კ-ები განაპირობებენ გეოსინკლინში ფლიშურ ნალექთდაგროვებას (იხ. *ფლიში*). ოროგენულ ეტაპზე, გეოსინკლინის საერთო აზევების პირობებში, კ. დამოუკიდებელ ერთეულად აღარ გამოიყოფა და შედის მთათა სისტემაში დიდი *ანტიკლინორიუმის* სახით.

კორდილიერა-მერიდა (Cordillera Merida), ქედი ანდებში, ვენესუელის დას. ნაწილში, აღმ. კორდილიერების ჩრდ.-აღმ. შტოქედი. სიგრძე დაახლ. 400 *კმ*, სიმაღლე 5007 *მ*-მდე (ბოლივარის პიკი). აგებულია კამბრიულისწინა და პალეოზოური გრანიტებით, გნაისებით, ქვიშაქვებითა და ფიქლებით. ღრმად არის დანაწევრებული მდინარეთა ხეობებით. ჩრდ. ქარპირა კალთები დაფარულია მთის ჰილეით, მშრალი სამხრ. კალთები და შიგა ხეობები — ქსეროფიტული ბუჩქნარითა და შერეული ტყით. 2800 *მ* ზევით მაღალი მთის სტეპი და პარამოსია, 4600 *მ*-ზე მაღლა — მუდმივი თოვლი.

კორდილიერები (ესპ. Cordilleras — მთაგრეხილები), უგრძესი (18 ათ. *კმ*-ზე მეტი სიგრძის) მთათა სისტემა დედამიწაზე, ჩრდ. და სამხრ. ამერიკის დას. კიდის გასწვრივ, ალასკის არქტიკული ნაპირებიდან ცეცხლოვანი მიწის სამხრ. ნაპირამდე; ატლანტისა და წყნარი ოკეანის წყალგამყოფი. სიმაღლით მხოლოდ ჰიმალაის მთებს და ცენტრ. აზიის მთათა სისტემებს ჩამოუვარდება. კ-ის უმაღლესი მწვერვალებია: ჩრდ. ამერიკაში მაკ-კინლი (6193 *მ*), სამხრ. ამერიკაში აკონკაგუა (6960 *მ*). კ. ორ ნაწილად იყოფა: *ჩრდილოეთ ამერიკის კორდილიერები* და სამხრ. ამერიკის კ. ანუ *ანდები*. კ-ის რელიეფის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პლეისტოცენურმა გამყინვარებამ. კ-ის მთათა სისტემა თითქმის ყველა გეოგრ. სარტყელში მდებარეობს. კ-ის ჰავა იცვლება ადგილის განედის, სიმაღლისა და კალთების ექსპოზიციის შესაბამისად. თოვლის მოჯნა ალასკაზე 600 *მ*-მდე ჩამოდის, ცეცხლოვან მიწაზე 500—700 *მ*-ზე, ბოლივიასა და სამხრ. პერუში კი 6000—6500 *მ*-ზეა. ჭარბად ნოტიო კალთებზე ლანდშაფტური სარტყელების რთული სპექტრია — ჰილეიდან მარადთოვლიან მწვერვალებამდე. კ-ში არის სპილენძის, ტყვიის, თუთიის, კალის, მოლიბდენის, ვოლფრამის, ოქრის, ვერცხლის, ნიკლის, ნავთობისა და სხვ. საბადოები.

კორდისპბილა (Euphrasia), მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა ოჯახისა. ერთწლოვანი, ზოგჯერ მრავალწლოვანი ნახევრად პარაზიტი ბალახებია. 200-მდე, უმეტესად პოლიმორფული სახეობა გავრცელებულია ძირითადად ჩრდ. ნახევარსფეროში, აგრეთვე მალაის არქიპელაგის მთებში, ავსტრალიასა და სამხრ. ამერ. ზომიერ სარტყელში. სსრკ-ში 60-მდე სახეობა იზრდება; საქართველოში —19, მ. შ. 7 საქართველოს და 5 კავკ. ენდემია. E. stricta, ისევე როგორც კ-ს მრავალი სხვა სახეობა, ძირითადად მარცვლოვნების ფესვების პარაზიტია და ზოგჯერ მნიშვნელოვნად ამცირებს მდელოს მოსავლიანობას. საქართველოში ყველგან გვხვდება, უმეტესად ალპურ სარტყელში. *ი. მიქელაძე.*

კორდოვა (Córdoba), ქალაქი სამხრ. ესპანეთში, ანდალუსიაში, მდ. გვადალკვივირის ნაპირზე. კორდოვის პროვ. ადმ. ცენტრი. 235,6 ათ. მცხ. (1971). ღვინის, ზეითუნის ზეთის, ფქვილის, ტყავის წარმოება. სპილენძსადნობი (კ-ში თავმოყრილია მთელი ქვეყნის ელექტროლიზური სპილენძის წარმოების დაახლ. 70%), ელექტროტექ. საწარმოები, სას.-სამ. მანქანათმშენებლობა.

კ. ცნობილია ფინიკიელთა კოლონიზაციის დროიდან. სტრაბონისა და პტოლემეს ცნობით, იგი იყო ტურდეტანების ტომის ცენტრი. II პუნიკური ომის (ძვ. წ.



კორდაიტები. რესტავრირებული მცენარე. ა, ბ — ფოთოლი.

კორდაიტები. ტოტი მამრობითი (ა) და მდედრობითი (ბ) სტრობილებით.

კორდისპბილა (Euphrasia stricta): ა — ყვავილი, ბ — ფოთოლი.

კორდოვა. ძველი (ახლა ტაძარი). VIII—X სს. ინტერიერი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

კორეა

შინაარსი

I.	ზოგადი ცნობები	664
II	კორეა 1948-მდე	664
III	კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	666
IV.	სამხრეთი კორეა	668

218—201) დროს დაიპყრეს რომაელებმა. ავგუსტუსის დროს ბეტიკის პროვინციის მთავარი ქალაქი იყო. სხვადასხვა დროს დაიპყრეს ვანდალებმა, ბიზანტიამ, ვესტგუთებმა, ხოლო 711 — არაბებმა. 756-იდან იყო კორდოვის საამიროს, ხოლო 929-იდან — კორდოვის სახალიფოს დედაქალაქი. X ს-ში ქ. იქცა განათლების და მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ კერად. კორდოვის სახალიფოს დაშლის (1031) შემდეგ ქ. მხოლოდ 1070-მდე (დაიმორჩილა სევილიის ამირამ) ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. *რეკონკისტის* დროს კასტილიის მეფეთა ხელში გადავიდა (1236).

ქალაქის ცენტრს შენარჩუნებული აქვს ძვ. არქიტ. დაგეგმარება. განაშენიანებულია მავრიტანიული ეპოქის დროინდელი დაბალი ერთსართულიანი სახლებით, რ-თაც ყრუ ფასადები და გამწვანებული შიგა ეზოები (პატიო) აქვთ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია: რომაული ხანის ხიდი, არაბ. კოშკი კალაორა (გადაკეთებულია 1369), ტაძარი (დაწყებულია 785, 1236-მდე მეჩეთი) სან-ნიკოლასისა (XIII—XVI სს.) და სხვ. ეკლესიები, სინაგოგა (1315), რატუშა (1594—1631), XVIII ს. რენესანსული სასახლეები, მოედნები. ქ-ში არის ნატიფი ხელოვნ. პროვ. მუზეუმი და პროვ. არქეოლ. მუზეუმი.

კორდოვა (Córdoba), ქალაქი ცენტრალურ არგენტინაში. კორდოვის პროვ. ადმ. ცენტრი. 799 ათ. მკხ. (გარეუბნებიანად, 1970). სარკინიგზო კვანძი. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სამრეწვ. ცენტრი. მანქანათმშ. (ტრაქტორთ-, ავტო-, ავიამშენებლობა), კვების, ტყავის მრეწველობა. ქ. დაარსდა 1573. აქვს უნ-ტი (1613-იდან). ქ-ში შემონახულია XVIII—XIX სს. მეტწილად ერთსართულიანი საცხოვრ. სახლები, ტაძარი (დაიწყო 1574, აშენდა 1680—1758, არქიტ. ა. ბლანკი, ვ. მუნიოსი), რ-ის ფასადები კლასიცისტური სტილისაა, გუმბათი და კოშკები კი—ბაროკოსი, გემის ჩონჩხის მსგავსი ხის კამარით გადახურული ეკლესია ლაკომპანია (1646—90, არქიტ. ფ. ლემერი); არის აგრეთვე თანამედროვე, მ. შ. სამრეწვ. შენობები.

კორდოვა (Córdoba), ქალაქი აღმ. მექსიკაში, ვერაკრუსის შტატში. 93 ათ. მკხ. (1970). სარკინიგზო და საავტ. გზებით უკავშირდება ქ. მეხიკოს და ნავსადგურ ვერაკრუსს. სას.-სამ. რ-ნის (ყავა, ხილი) ცენტრი. ბამბეულის, კვების, ქიმ. მრეწველობა. სამთო-ელიმ. კურორტი. ქ. დაარსდა 1618.

კორდოვის სახალიფო, ფეოდალური სახელმწიფო პირენეს ნ. კ-ზე, დედაქალაქი ქ. *კორდოვა*. 756 ომაიანმა *აბდ ალ-რაჰმან I-მა* აქ შექმნა კორდოვის საამირო, რ-მაც დამოუკიდებლობა მოიპოვა აბასიანთა სახალიფოსაგან. IX ს. მიწურულში კორდოვის საამირო დაიშალა ცალკეულ ფეოდ. სამფლობელოებად. აბდ ალ-რაჰმან III-მ (912—961) გააერთიანა ეს სამთავროები და 929 თავი ხალიფად გამოაცხადა. ქ. ს. ცენტრალიზებული დესპოტია იყო. გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მსხვილ მიწათმფლობელ არისტოკრატიას. ქ. ს-ში მთელი ძალაუფლება (საერო და სასულიერო) ხალიფას ეკუთვნოდა. მეორე ფიგურა იყო მთავარი მინისტრი — ჰაჯიბი. ხალიფა ალ-ჰაქამ II-ის (961—976) სიკვდილის შემდეგ ქ. ს-ს განაგებდა ჰაჯიბი მუჰამად იბნ აბუ ამირ ალ-მანსური (976—1002); მერე კი — მისი ძე აბდ ალ-მალიქი (1002—1008).

ქ. ს. წარმოადგენდა არაბ. კულტურისა და მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ცენტრს. აქაურმა მეცნიერებმა დიდი როლი ითამაშეს ევროპაში ანტ. მეცნიერების ტრადიციების შენარჩუნებაში. XI ს. I მესამედი ქ. ს-ში აღინიშნა ფეოდ. შინაომებით. 1031 ტახტიდან ჩამოაგდეს და კორდოვიდან განდევნეს უკანასკნელი ხალიფა ჰიშამ III. ქ. ს. მრავალ წვრილ საამიროდ დაიშალა.

გ. ჯაფარიძე.

კორდოფანი, პლატო სუდანში, მდ. თეთრი ნილოსის დას-ით. სამ. სიმაღლე 500—1000 *მ*. წარმოადგენს აფრიკის კამბრიულ-ისწინა კრისტ. ბაქნის შკერილს. აგებულია ნუბიის ქვიშაქვებით (მთა ტემადინგა, 1460 *მ*). დანაწევრებულია ხევებით. ჰავა სუბეკვატორულია. იცის ზაფხულის წვიმები (300—500 *მმ* წელიწადში). წითელ-მურა ნიადაგები. დაფარულია სავანით.

კორეა (კორ. — ჩოსონ).

I. ზოგადი ცნობები

ქ. — ქვეყანა აღმ. აზიაში, მდებარეობს უმთავრესად *კორეის ნახევარკუნძულზე*, მის მიმდებარე კონტინენტურ ნაწილსა და კ-ებზე. აღმ-ით აკრავს იაპ. ზღვა, დას-ით—ყვითელი ზღვა, სამხრ-ით— კორეის სრუტე, რ-იც გამოყოფს მას იაპონიისაგან. საზღვ. საზღვრის სიგრძეა დაახლ. 8,7 ათ. *კმ*. ჩრდ-ით ესაზღვრება ჩინეთი და სსრკ. სახმელეთო საზღვრის სიგრძეა 1,3 ათ. *კმ*. ფართ. 220,8 ათ. *კმ*^{2} (დემილიტარიზებული ზონის ჩათვლით). მოსახლ. 54,1 მლნ. მეტი კაცი (1978, შეფასება), აქედან 99% კორეელია. მორწმუნენი უმთავრესად ბუდისტები არიან, მცირე ნაწილი—ქრისტიანები. ოფიც. *კალენდარი* — გრიგორიანული (იყენებენ ადგილობრივსაც).

ბუნება. ქ-ის ტერიტ. დაახლ. 3/4 მთიანია. ქვეყნის ჩრდ. ხაწილი უჭირავს *ჩრდილოეთ კორეის მთებს*, კორეის ნ.-კ-ის აღმ. ნაწილი — *აღმოსავლეთ კორეის მთებს*, სამხრ. ნაწილი კი ამ მთების სამხრ.-დას. შტოქედებს. ნ.-კ-ის დას. სანაპიროზე დაბლობი ვაკეებია.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ქვანახშირი, მურა სახშირი, რკინის, ტყვიის, თუთიის, სპილენძის მადანი, ვოლფრამი, მოლიბდენი, ქრომი, ნიკელი, ოქრო, ვერცხლი და სხვ.

ნ.-კ-ზე ზღვის ჰაეაა, ქ-ის ჩრდ. ნაწილში — ზღვიურიდან კონტინენტურში გარდამავალი, მუსონური, ტერიტ. დიდ ნაწილში — ზომიერი, უკიდურეს სამხრეთში — სუბტროპიკული. იანვ. საშ. ტემპ-რა მერყეობს —21°C-იდან (ჩრდ-ით) 4°C-მდე (სამხრ-ით). ჩრდ-ით ყინვა ზოგჯერ —40°C აღწევს. ყველაზე თბილი თვის (აგვ., ზოგან ივლ. ან ივნ.) საშ. ტემპ-რა 22°C-იდან (ჩრდ-ით) 26°C-მდეა (სამხრ-ით). ნალექები 700-იდან 1500 *მმ*-მდე.

მდინარეთა ქსელი ხშირია. მნიშვნელოვანი მდ-ებია ტუმინძიანი, (ტუმანგანი), იალუძიანი (ამნოკანი), ტედონგანი, ჰანგანი, ნაქტონგანი.

გავრცელებულია უმთავრესად ტყის ყომრალი და მთა-ტყის ყომრალი ნიადაგები. დაბლობებსა და მდინარეთა ხეობებში ნოყიერი ალუვიური ნიადაგებია.

მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. მთის ქვემო სარტყელში ფართოფოთლოვანი ტყეა, მაღლა — წიწვოვან-ფართოფოთლოვანი, რ-საც ჩრდ-ით წიწვოვანი ტყე ცვლის; სამხრ-ით 300 *მ* სიმაღლემდე სუბტროპ. მარადმწვანე ტყე და ბუჩქნარია.

ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს ვეფხვი, ჯიქი, დათვი, ფოცხვერი, ირემი და სხვ. ფრინველთა სამყარო მრავალფეროვანია. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.

მდ. ჰანგანის ხეობა.

ლიტ.: Зайчиков В. Т., Корея. [2 изд.], М., 1951. Пак Тхя Хун, Тен Хек, Очерк географии Кореи, Пхеньян, 1957.

II. კორეა 1948-მდე

ისტორიული ნარკვევი. კორეის ნ.-კ-ზე ადამიანის უძველესი კვალი მიეკუთვნება გვიანდ. პალეოლითს. ვარაუდობენ, რომ ქ-ის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩოსონი ძვ. წ. V—IV სს-ში ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. ჩინ. დამპყრობლებთან ბრძოლის პროცესში ახ. წ. დასაწყისში აღმოცენდა პექჩეს, კოგურიოსა და სილის ადრინდ. ფეოდ. სახელმწიფოები. ე. წ. სამი სახელმწიფოს პერიოდი აღინიშნა საწარმოო ძალთა წინსვლით (განვითარდა სარწყავი მიწათმოქმედება, მებრინჯაობა, დაინერგა მეაბრეშუმეობა და სხვ.). მიწაზე სახელმწ. საკუთრების დამკვიდრებასთან ერთად გაჩნდა მსხვილი მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმა. გავრცელდა ჩინეთიდან *კონფუციანელობა* და *ბუდიზმი*. ჩინ. დინასტიები ცდილობდნენ კოგურიოსა და პექჩეს დაპყრობას (612, 644, 660, 668), მაგრამ უშედეგოდ. VIII ს-თვის სილის სახელმწიფომ უკვე შეძლო კორ. ნ.-კ-ის მთელი ტერიტ. გაერთიანება. სილის გაერთ. სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ფეოდ. წყობილების დამახასიათებელი ნიშნები. ხანგრძლივი ომების შეწყვეტამ დადებითად იმოქმედა ქვეყნის ეკონ. ცხოვრებაზე. სარწყავი მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის ზრდას. აღსანიშნავია კულტ. დარგში მიღწეული წარმატებები. ფეოდალთა ბატონობა გლეხობაზე ხორციელდებოდა მიწაზე სახელმწ. საკუთრების ფორმით. არსებობდა გლეხთა ნაფელები და მსხვილი ფეოდ. ნაწყალობები მიწები. მიმდინარეობდა სახელმწ. გლეხთა დაყმევების პროცესი. IX ს-ში დადგა ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდი. 935 ქვეყანა კვლავ გააერთიანა *კორიოს* სახელმწიფოს დამაარსებელმა ვან გონმა. ცენტრალიზებული ფეოდ. სახელმწიფოს შექმნამ კორიოს ფეოდალებს შესაძლებლობა მისცა მოეგერიებინათ კიდანების შემოსევები. ამ პერიოდში განვითარდა ქვეყნის ეკონომიკა, გაფართოვდა საგარეო ვაჭრობა, შემოიღეს ლითონის ფული.

XII ს. I ნახევარში დაიწყო კორიოს სახელმწიფოს დაქვეითება, რასაც ხელი შეუწყო ფეოდ. შინაომებმა (1126, 1135, 1170, 1196 და სხვ.) და გლეხთა აჯანყებებმა (1176—78) ფეოდ. კაბალის წინააღმდეგ. ამას დაერთო მონღოლთა შემოსევა 1231. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. 1356 მონღოლები ქვეყნიდან გააძევეს. 1392 კორიოს ერთ-ერთი სარდალი ლი სონ გე ავიდა ტახტზე და ამით სათავე დაედო ახ. სამეფო დინასტიას ლის (1392—1910). კორიოს სახელმწიფოს ჩოსონი ეწოდა. დედაქალაქი ჰასონში (XIX ს. დასასრულიდან სეული) გადაიტანეს. გაიზარდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობა, რამაც ხელი შეუწყო ფეოდ. წყობილების განმტკიცებასა და სერიოზულ ეკონ. და კულტ. ძვრებს, მაგრამ დიდგვაროვანთა ურთიერთშორის ბრძოლამ, გლეხთა აჯანყებებმა და იაპ. თავდასხმებმა (XVI ს.) კვლავ დაასუსტა ცენტრალიზებული სახელმწიფო. მართალია კორეელმა ხალხმა შეძლო იაპონელთა გაძევება, მაგრამ უძლური აღმოჩნდა ჩრდ-იდან შემოჭრილ ახ. აგრესორებთან—მანჯურიელებთან ბრძოლაში. 1637 ქ-ის მეფემ მანჯურიელთა დინასტიის ვასალად აღიარა თავი.

XVII—XVIII სს-ში ქ-ის სოც.-ეკონ. განვითარებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა: გაიზარდა ნათესი ფართობი, დაინერგა ახ. სას.-სამ. კულტურები, გაუმჯობესდა რწყვის საქმე, სოფლად და ქალაქად განვითარდა თავისუფალი ხელოსნობა, გაძლიერდა სასაქონლო-ფულადი ურთიერ-

თობა, იმატა მევახშეობამ, შეიქმნა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები (ფუნენიანი, ჰანსონი, კესონი, ტეგუ). სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებას თან სდევდა ფეოდ. ექსპლუატაციის ზრდა. ამის გამო იმატა გლეხთა ანტიფეოდ. გამოსვლებმა. გამწვავდა წინააღმდეგობა მსხვილ ფეოდ. დაჯგუფებებს შორის XVIII ს-ში სცადეს რეფორმების გატარება, რაც უშედეგოდ დამთავრდა, მოწინავე ფეოდალთა (ინბანთა) შორის კი დაიწყო ე. წ. *სირ-ჰაკეფხის* პროგრ. მოძრაობა, რ-იც კონფუციანურ სქოლასტიკას დაუპირისპირდა.

ფეოდ. სისტემის კრიზისი გააღრმავა კაპიტალ. ქვეყნების გაძლიერებულმა ცდებმა შეჭრილიყვნენ ჰ-ში, ეძარცვათ იგი. უშედეგო იყო ლი ჰა ინის მთავრობის ცდა რეფორმებითა და გარე სამყაროსგან მკაცრი იზოლაციით შეეჩერებინა ფეოდ. სისტემის კრიზისი და განემტკიცებინა სამეფო ხელისუფლება. 1876 იაპონიამ ჰ-ს თავს მოახვია კანხვის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, შემდგომში კი ჰ-მ ანალოგიური ხელშეკრულებები დადო აშშ-თან (1882), დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან (1883), მოგვიანებით — მეფის რუსეთთან, საფრანგეთთან, ავსტრიაუნგრეთთან და სხვ. აღნიშნულ ხელშეკრულებებს შედეგად მოჰყვა ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. დაკაბალება. ჰ-მ გამოკვეთილი ნახევარკოლონიის სახე მიიღო. ფეოდ. ექსპლუატაციის გაძლიერებამ, მოხელეთა გამომძალველობამ და უცხოელთა პარპაშმა მკვეთრად გააუარესა მშრომელთა ყოფა. ამ ნიადაგზე 1893 სამხრ. ჰ-ში იფეთქა გლეხთა მძლავრმა აჯანყებამ (იხ. *გლეხთა აჯანყება კორეაში 1893—1894*). მისი ჩახშობის დროს წამოჭრილი იაპ.-ჩინ. კონფლიქტი ჩინეთ-იაპონია ომის (1894—95) საბაბი გახდა. ამ ომში ჩინეთი დამარცხდა და იძულებული გახდა ეცნო ჰ-ის დამოუკიდებლობა (*სიმონოსეკის ხელშეკრულება 1895*). ჰ-ში გაძლიერდა იაპ. გავლენა. უშედეგო იყო პროჩინური და რუსოფილური ჯგუფების ცდა გარედან დახმარების გზით შეეჩერებინათ იაპ. გავლენის ზრდა. რუსეთ-იაპონიის ომის (1904—05) შემდეგ იაპ. იმპერიალისტები ღაეუფლნენ ჰ-ის ძირითად ბაზებს და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს მისი ეკონომიკა, ფინანსები. 1905 წ. 17 ნოემბ. ჰ-ზე დაწესდა იაპ. პროტექტორატი. დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხეს კორეელმა ხალხმა უპასუხა მასობრივი ბრძოლით, როგორც იაპ. იმპერიალისტების, ისე მათი ადგილ. აგენტურის წინააღმდეგ. იაპონელებმა პარტიზანთა ძირითადი ძალები დაამარცხეს და მათი განდევნის შემდეგ 1910, ჰ. დაიპყრეს. ჰ-ის ანექსიამ მკვეთრად გააძლიერა იაპ. მტაცებლური კოლონ. პოლიტიკა ამ ქვეყანაში. კოლონიზატორებმა ჰ. თავიანთი სამრეწვ. საქონლის გასაღებისა და სანედლეულო ბაზად გადააქციეს. მოხდა გლეხთა მიწების მნიშვნელოვანი ნაწილისა და სახელმწ. მიწების დიდი ნაწილის ექსპროპრიაცია, ამავე დროს ხელუხლებლად დარჩა იქ არსებული ფეოდ. ურთიერთობა. კოლონ. ჩაგვრას განიცდიდა ასევე ეროვნ. ბურჟუაზია 1910 დეკ. იაპ. კოლონ. ხელისუფლებამ მიიღო კანონი კომპანიების შესახებ, რ-იც მკაცრად ზღუდავდა მათ საქმიანობას და მიმართული იყო ეროვნ. კაპიტალის წინააღმდეგ. იაპ. იმპერიალისტებმა ჰ-ში ძალადობისა და ჩაგვრის სამხ -პოლიციური სისტემა დანერგეს.

ოქტ. სოციალ. რევ. გამარჯვებამ რუსეთში უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ჰ-ზე და რევ. სტიმული მიეცა განმათ. და კლასობრივ ბრძოლას. 1919 მარტ-აპრილში ჰ-ში მოხდა საერთო ეროვნ. აჯანყება, რ-შიც მონაწილეობდა მუშათა კლასი, გლეხობა და ეროვნ. ბურჟუაზია. მეთაური ეროვნ. ბურჟუაზია შეეცადა აჯანყებისათვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცა, რამაც განაპირობა აჯანყების დამარცხება. 1919 ამბებით დაშინებულმა იაპ. იმპერიალისტებმა ფართოდ რეკლამირებული, ზედაპირული რეფორმების პროგრამა გამოაცხადეს და „თვითმმართველობის სისტემა" შემოიღეს. 1920 გააუქმეს კანონი კომპანიების შესახებ და სხვ.

20-იან წლებში მრეწვ. აღმავლობამ და მუშათა კლასის რიგების ზრდამ, მისი იდეურ-პოლიტ. დონის ამაღლებამ, მუშათა პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნამ, პროგრ. ინტელიგენციის წრეებში მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელებამ მოამზადა ნიადაგი კომპარტიის შექმნისათვის (1925). ჰ-ის კომპარტია სათავეში ჩაუდგა ანტიიმპერიალ. მოძრაობას მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავად და შეეცადა მასობრივი პატრ ორგანიზაცია შეექმნა (1927), მაგრამ მის რიგებში აღმოცენებულმა მემარცხენე-სექტანტურმა გადახრებმა და მემარჯვენე ოპორტუნისტებმა ხელი შეუშალეს ამ განზრახვას. 1928 კომპარტიამ, როგორც ორგანიზებულმა ძალამ, არსებობა შეწყვიტა.

მსოფლიო ეკონ. კრიზისმა (1929—33) ჰ-ში უკიდურესად გააუარესა მშრომელებისა და წვრილბურჟ ფენების მდგომარეობა, ბიძგი მისცა განმათ. კლასობრივი ბრძოლის მძლავრ აღმავლობას. 1932 *კიმ ირ სენის* ხელმძღვანელობით შეიქმნა მძლავრი პარტიზ. რაზმი, რ-იც აქტიურად იბრძოდა იაპ. ოკუპანტების წინააღმდეგ. 1936 პარტიზ. ბრძოლის დიდი გაქანების ვითარებაში კურსი აიღეს ყველა პატრ. ძალის ერთიან ანტიიაპ. სახ. ფრონტად გასაერთიანებლად. ამ მიზნით შეიქმნა „ჩოგუკ კვანბოქვე" (სამშობლოს აღორძინების საზ-ბა), რ-ის პროგრამა ითვალისწინებდა იაპ. კოლონ. ბატონობის დამხობასა და დამოუკიდებელი ჰ-ის შექმნას. დასახული მიზნის მისაღწევად იგი იყენებდა ბრძოლის როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ ფორმებს. მისი ხელმძღვანელობითა და კომუნისტების აქტ. მონაწილეობით 1937 და მომდევნო წლებში დიდ ძალად იქცა პარტიზ. ომი. 1937—45 სახ. მოძრაობამ იაპ. იმპერიალ. წინააღმდეგ საყოველთაო ხასიათი მიიღო. პარტიზ. რაზმებმა ჩრდ. ჰ-ში შექმნეს მძლავრი საყრდენი ბაზები; გაძლიერდა მუშათა და ახალგაზრდობის გამოსვლები და საბოტაჟის აქტები სამხ. საწარმოებში.

1945 აგვ. საბჭ. შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს იაპ. მილიტარიზმის რჩეული ნაწილები — კვანტუნის არმია, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა II მსოფლიო ომში იაპ. დამარცხების საქმეში და ბოლო მოუღო იაპ. იმპერიალიზმის ბატონობას ჰ-ში. საბჭ. შეიარაღებულ ძალებთან ერთად ჰ-ის განთავისუფლებაში აქტ. როლს ასრულებდნენ ჰ-ის რევ. შეიარაღებული ძალები. საბჭ. შეიარაღებული ძალების აქტ. დახმარებით ჩრდ. ჰ-ის დემოკრ. ძ ლებს გაუადვილდა რეაქციასთან ბრძოლა. ამ ბრძოლის ავანგარდში ჩადგა 1945 აღდგენილი ჰ-ის კომპარტია. მისი ხელმძღვანელობით იქმნებოდა მასობრივი დემოკრ. ორგანიზაციები, რ-თაც წამოაყენეს პროგრამული მოთხოვნები: დემოკრ. რესპ. შექმნა, იაპ. კომპანიებისა და ცალკეული პირების, ასევე ჰ-ის მემამულეთა კუთვნილი მიწების კონფისკაცია და გლეხობისათვის გადაცემა, ფ-კა-ქნების ნაციონალიზაცია, სხვა დემოკრ. გარდაქმნების განხორციელება.

სულ სხვაგვარად ვითარდებოდა ამბები სამხრ. ჰ-ში, სადაც 1945 სექტ. გადასხდნენ აშშ-ის ჯარები. ამერ. საოკუპაციო სარდლობამ უხეშად დაარღვია წინასწარი შეთანხმებები (იალტის, პოტსდამის, მოსკ. თათბირები 1945) და დემოკრ. ძალების ჩახშობით ქვეყნის ხელოვნური გათიშვა განიზრახა. რეაქციულ ანტიხალხურ ძალებზე დაყრდნობით შეიქმნა სამხრ. ჰ-ის სეპარატული მთავრობა (1948 მაისში სამხრ. ჰ-ში ინსცენირებული არჩევნების შედეგად შეიქმნა ე. წ. კორეის რესპუბლიკა) ამერ. აგენტის *ლი სინ მანის* მეთაურობით ამის შედეგად სახ.-დემოკრ. რევოლუცია მხოლოდ ჩრდ. ჰ-ში ვითარდებოდა. აქ 1946-იდან აქტიურად მოქმედებდნენ დემოკრ. ხელისუფლების ორგანოები. კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩრდ. ჰ-ში შეიქმნა მასობრივი დემოკრ. ორგანიზაციები: ახალგაზრდობის, ქალთა, გლეხთა კავშირები, მუშათა პროფკავშირები. 1946 თებ. შეიქმნა ჩრდ. ჰ-ის დროებითი სახ. კომიტეტი, რ-იც ემყარებოდა მუშათა კლასის, გლეხობისა და სხვა პატრ. ფენების კავშირს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. აღნიშნულმა ორგანიზაციამ მოკლე დროში გაატარა რადიკალური დემოკრ. გარდაქმნები. ამის შედეგად ბოლო მოეღო ფეოდალიზმსა და კოლონიალიზმს და ჩრდ. ჰ. მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. 1946 ივლ. შეიქმნა ერთიანი დემოკრ. ეროვნ. ფრონტი (ედეფ), რ-საც ჰ-ის კომპარტია ხელმძღვანელობდა. 1946 აგვ. შეიქმნა ჩრდ. ჰ-ის შრომის პარტია, 1948 თებ. ჰ-ის სახ არმია. უმაღლესმა სახ კრებამ (არჩევნები ჩაატარა 1948 აგვ.) შეიმუშავა სახ.-დემოკრ. სახელმწიფოს კონსტიტუცია, გამოაცხადა ჰ-ის სახ.-დემოკრ. რესპუბლიკა (კსდრ) და შექმნა მთავრობა *კიმ ირ სენის* მეთაურობით. კსდრ-ის მთავრობამ თავის მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანება დემოკრ. საწყისებზე.

ლიტერატურა. ჰ-ის ლიტ-რა სათავეს იღებს ძვ. კორ. ფოლკლორიდან. XIX ს. დასასრულამდე იგი იქმნებოდა 2 ენაზე: ოფიც. სალიტ. ენაზე — ჰანმუნზე (ჩინ. სალიტ. ენის — ვენიანის კორეიზებული ფორმა) და კორ. ენაზე. ლიტ-რის უძველესი ნიმუშებია მოკლე ლექსები — ჰიანგა („მშობლიური მხარის სიმღერები"), რ-ებიც VII—XI სს-ით თარიღდება და ჩაწერილია XV ს. შუა წლებამდე. ჰანმუნზე პოეზიის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩხვე ჩხი ვონს (დ. 857). უმაღლეს დონეს კი ამ პოეზიამ მიაღწია ლი ინ ნოს (1152—1220), ლი გიუ ბოს (1168—1241) და ლი ჯე ჰიონის (1288—1367) შემოქმედებაში. ადრინდ. პროზის ნიმუშებია ჰანმუნზე დაწერილი ჰიოკ ნიონ ჯონის ბუდისტური „კიუნიოს ცხოვრება" (1075), კონფუციური იდეებით გამსჭვალული ოფიც. ქრონიკა — *კიმ ბუ სიკის* „სამი სახელმწიფოს ისტორიული ჩანაწერები" (1145) და ბუდისტური „ზღვიდან აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის გამოჩენილი ბერების ცხოვრებანი" (1215). მხატვრული პროზა თანდათან გამოეყო ისტ. ლიტ-რას. გაჩნდა იასა (არაოფიც. ისტორიები) და ფხესოლი — მცირე პროზაული ნაწარმოებები. ნოველის ჟანრს საფუძველი ჩაუყარა *კიმ სი სიპმა* (1435—93). სო გო ჯონმა 1478 შეადგინა ვრცელი „აღმოსავლური ანთოლოგია" (130 წიგნი), რ-შიც შევიდა ჰანმუნზე შექმნილი პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. აღსანიშნავია ისტორიკოს *იმ ჯეს* (1579—87) ალეგორიული მოთხრობები.

კორ. ანბანზე შექმნილი პირველი ნაწარმოებებია „ოდა ცათა შინა მფრინავ დრაკონისადმი" (1445). XVI—XVII სს. პოეზიაში გაბატონებული იყო პეიზაჟური ლირიკა (ე. წ. მდინარეთა და ტბათა პოეზია) გამსჭვალული დაოსური მოტივებით (ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, ბუნებისა და ღვინის ხოტბა). სიჯოს (სამსტრიქონიანი ლექსი) და კასის (დიდი მოცულობის პოემა) გამოჩენილი ოსტატები იყვნენ ჩონ ჩხოლი (1536—94) და იუნ სონ დო (1587—1671). აღსანიშნავია პაკ ინ ნოს (1561—1642) პატრ. ლირიკა. კორ. ენაზე შექმნილი პოეზია გაერთიანებულია ანთოლოგიებში „მწვანე მთების ქვეყნის უჭკნობი სიტყვები" (1727) და „ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნის სიმღერები" (1763). სინ ჯე ჰიოს (1812—84) შემოქმედებაში სატირიალო ლირიკამ უმა-

სეული. ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

კორეა

დიდი ქალაქები

ჰამჰინი
ჩხონჯინი
პინამი
სინიიჯუ
კესონი
ვონსანი
კიმ-ჩაკი

ლლეს მწვერვალს მიაღწია. მისი დამსახურებაა ხალხ. მუს. დრამის (ჩხანგიკის) განვითარება. XVII—XIX სს-ში ფართოდ გავრცელდა მოთხრობის ჟანრი კორ. ენაზე — სოსოლი, საგმირო ეპოპეა „იმჯინის ქრონიკა" (XVII ს.) და სხვ. დაიწერა კიმ მან ჯუნის (1637—92) პირველი რომანები. სირჰაკის იდეები აისახა პაკ ჩი ვონის (1737—1805) სატირულ ნოველებში (ჰანმუნზე). ჰანმუნზე შექმნილი პოეზიის უკანასკნელი ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ სირჰაკის იდეოლოგი ჩონ იაკ იონი (1762—1836) და სახ. პოეტი კიმ საკატი (1807—64).

XIX ს. დასასრული საშ. საუკ. ლიტრიდან ახ. ლიტ-რაზე გარდამავალი პერიოდია. ახ. პროზის (სინ სოსოლი) პირველი ნიმუშებია ლი ინ ჯიკის (1862—1916) და ლი ჰე ჯოს (1869—1927) რომანები. თანამედროვე კორ. ნოველის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მწერალსა და ბურჟ. ნაციონალიზმის იდეოლოგს ლი ვვან სუს (1892—1951), ნატურალისტ მწერლებს იომ სან სოპს (1897—1963) და კიმ დონ ინს (1900—51). თავისუფალი ლექსის პიონერები იყვნენ ჩხვე ნამ სონი (1890—1959) და კიმ ოკი (დ. 1896).

იაპ. მიერ კ-ის ანექსიამ (1910) დროებით შეაფერხა კორ. ლიტ-რის განვითარება. 1919 აჯანყების ჩახშობის შემდეგ გავრცელდა დეკადენტური მიმართულებები. ამავე დროს ჩამოყალიბდა პროლეტ. ლიტ-რა, რ-ის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს ახ. მიმართულების სკოლა (სინგიონჰიანფხა). ამ სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან პოეტი ლი იკ სანი (1895—1932), ნოველისტი ჩხვე სო ჰე (1901—32) და სხვ. აღსანიშნავია პროზაიკოს ნა დო ჰიანის (1902—27) და პოეტ კიმ სო ვოლის (1903—35) შემოქმედება. იაპ. რეაქციის გაძლიერების შემდეგ პოპულარული გახდა ისტ. რომანის ჟანრი (მწერლები ჰონ მიონ ჰი, დ. 1888; ლი გვან სუ, კიმ დონ ინი, იომ სან სოპი, პაკ ჩონ ჰუა, 1901), იქმნებოდა აგრეთვე რევ. ლექსები, სიმღერები და ერთმოქმედებიანი პიესები (კ-ის უახლესი ეტაპის კორ-რა იხ. თავებში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთი კორეა).

არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება. კ-ში ნეოლითის ხანიდან შემორჩენილია თიხატაეპანილი ნახევრადმიწურების ნაშთები, თიხის ჭურჭელი; ძვ. წ. I ს-იდან სამარხი ნაგებობანი, ლითონის იარაღი და თიხის ჭურჭელი. კ-ის მაღალმხატვრულმა კულტურამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ახ. წ. დასაწყისისათვის—სამი სახელმწიფოს (კოგურიო, პექჩე, სილა) ხანაში. კოგურიოს სახელმწ. ტერიტორიაზე, ანაკში (ფხენიანთან ახლოს), შემონახულია აკლდამები (III—VII სს.) და სხვ.; სილის სახელმწიფოს ტერიტორიაზე — ასტრონ. კოშკი ჩხომსონდე (კიონჯუს მახლობლად, VII ს.). დეკორ. ხელოვნ. ნიმუშთაგან აღსანიშნავია თიხის მოუჭიქავი ჭურჭელი, ლითონის ნაკეთობანი, დეკორ. აგური. VIII ს-ში კ. გაერთიანდა სილის სახელმწიფოდ, რასაც მოჰყვა კულტ. ახ. აღორძინება. დაიწყო რეგულარულად დაგეგმარებული ქ-ების (მ. შ. დედაქალაქ კიონჯუს) ინტენს. მშენებლობა. ბუდიზმის გავრცელებას მოჰყვა ქვის სატაძრო ანსამბლებისა და პაგოდების მშენებლობა (გამოქვაბული ტაძარი სოკურამი, 742—764, კიონჯუს მახლობლად, და სხვ.). VII—X სს. ქანდაკება ჩამოყალიბდა ინდ. და ჩინ. ბუდისტური პლასტიკის კანონების შერწყმის შედეგად (მაიტრეის — მყობადის ბუდის მოოქრული ბრინჯაოს ქანდაკება, VII ს. დასაწყ. და სხვ.). დეკორ.-გამოყენებით ხელოვნებაში მისდევდნენ ქვის, ლითონის დამუშავებას, აბრეშუმის ქსოვას, ლაქიან და ბამბუკის მოწნულ ნაკეთობათა დამზადებას და სხვ. კორიოს სახელმწიფოს ეპოქაში (918—1392) აგებდნენ რთული ფორმის პაგოდებს (პოპჩხონსის ტაძრის ჰიონმიოთაპის პაგოდა ჰანსონში, ახლა სეული, 1085), საკულტო ხასიათის კომპლექსებს (სოგვანსის მონასტერი, ჰამგიონ-ნამდოს პროვინციის ანბიონის რ-ნში, 1386; დაინგრა 1950—53) და საერო ხასიათის მდიდრული დეკორით შემკულ ნაგებობებს (მანვოლდეს მმართველთა სასახლე სონდოში, ახლა კესონი, 918, დაინერა 1361). მნიშვნელოვნად განვითარდა მონუმ. ქანდაკება (ბუდა მაიტრეის ქვის ქანდაკება, X ს. ჩხუნჩხონ-ნამდოს პროვ., პონსანის რ-ნი). ამ პერიოდში აყვავდა ქვის მასისა (ფაიფურის მსგავსი მასალა კერამიკული ნაკეთობისათვის) და ფაიფურის ნაკეთობათა ხელოვნება. ლის დინასტიის დროს (1392—1910) აშენებდნენ დიდებულ სასახლეებს (კიონბოკუნი ჰანსონში, 1394, დაინგრა XVI ს-ში, აღადგინეს XIX ს-ში, კვლავ დაინგრა 1950—53), მდიდრულად მორთულ საკულტო ნაგებობებს (თონდოსის მონასტერი, XVI ს., იანსანის რ-ნი, კიონსან-ნამდოს პროვ.). კ-ის ხალხური საცხოვრ. ერთსართულიანი, ტერასიანი ნაგებობა იყო, რ-იც იატაკიდან თბებოდა. XIV ს-ში სამეფო კარზე დაარსეს ტოჰვასო, რ-იც საბვითი ხელოვნ. განვითარებაში ფერწერის აკადემიის როლს თამაშობდა. XV—XVII სს-ში მოღვაწეობდნენ პეიზაჟისტები ან გიონი, კან ჰი ანი, კიმ სიკი და სხვ. XVIII ს-ში მუშაობდნენ დემოკრ. მიმართულების ფერმწერები კიმ ჰონ დო, კიმ დიკ სინი და სხვ. XIX ს-ში დაიწყეს ზეთის საღებავით ხატვა. XV—XIX სს-ში მაღალ სიფეხურზე ავიდა ფაიფურისა და კერამიკის წარმოება. იაპ. არქიტ. სტილის გავლენით აშენდა მრავალი შენობა. მოქანდაკეთაგან აღსანიშნავია კიმ ბოკ ჩინი (პროლეტ. ხელოვნ. კ-ის ფედერაციის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი) და სხვ.

მუსიკა. კ-ის მუს. ტრადიციების ჩამოყალიბება III—IX სს. განეკუთვნება. ამ პერიოდის მიწურულს სამეფო კართან არსებობდა საგუნდო და საკრავიერი ანსამბლები. აღსანიშნავია მრავალი მუს. საკრავის შემქმნელის ვან სანაკის (VI ს.), მომღერლისა და 200-ზე მეტი კომპოზიციის ავტორის ურიკის (VI ს. დასასრ.) მოღვაწეობა. ამ უკანასკნელის მიერ კონსტრუირებული მუს. საკრავი კაიაგიმი ფართოდ გავრცელდა კ-ში. მისი მოწაფეები და მიმდევრები იყვნენ კეგო, მანდოკი, ნიმუნი (სამივე VI ს.), ოკ პო გო (VIII ს.) ღა სხვ. XIV—XVI სს-ში დედაქალაქში გამოდიოდა დიდი ორკესტრები და გუნდები. კ-ის მუსიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა შემსრულებელმა და მუსიკის თეორეტიკოსმა პაკ იონმა (XV ს.). 1432 შეიქმნა ახ. სანოტო დამწერლობა, რის მეოხებითაც შემონახულია უძველესი მელოდიები. 1493 სონ ჰიონმა და სხვ. შეადგინეს კორ. მუს. ენციკლოპედია „აქაკ კვებომი" („მუსიკათმცოდნეობის საფუძვლები"). XVI ს. II ნახევრიდან განუწყვეტელი ომების და თავდასხმების გამო შეფერხდა კ-ის მუსიკის განვითარება. მისი აღორძინება დაიწყო XVII—XVIII სს-ში ახ. სასიმღერო ჟანრის — ფანსორის შექმნიდან (ცნობილი შემსრულებლები იყვნენ ჰა ჰან დამი, ჩხვე სონ დალი, კვონ სამ დიკი). XIX ს. II ნახევარში ფხანსორიდან განვითარდა ხალხ. მუს. დრამის ჟანრი ჩხანგიკი, აქედან კი ეროვნ. ოპერა, რ-ის პირველი წარმომადგენელი იყო სინ ჯე ჰაო. ამ პერიოდის მუსიკოსთაგან აღსანიშნავი არიან დირიჟორი მუნ ჯა დოკი, მუსიკოსი კიმ ჯან ჯო. XX ს. დასაწყისიდან კ-ში შეიჭრა ევრ. მუსიკა, 1910-იდან 1945-მდე იაპ. ბატონობამ მკვეთრად შეაფერხა კ-ის მუს. კულტურის განვითარება.

თეატრი. თეატრ. ხელოვნების ელემენტებს შეიცავდა რელიგ. დღესასწაულებთან დაკავშირებული თამაშობანი და წესჩვეულებანი. სამი სახელმწიფოს პერიოდში გაჩნდა ნიღბებით ცეკვის ხელოვნება—თალჩხუმი. შუა საუკუნეებში ეროვნ. თეატრის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო კვანდეს (ჰისტორიონების) ხელოვნებამ. XIV—XV სს-ში შეიქმნა ნიღბების ხალხ. თეატრი და თოჯინების თეატრი. კ-ის პროფ. თეატრი ჩამოყალიბდა XIX ს-ში. 1911 დაარსდა თეატრი „ჰოკსინდანი" („რეფორმების დასი"). 1921 კორ. სტუდენტებმა დაარსეს დასი „დრამატული ხელოვნების კავშირი". 1930 ფხენიანში შეიქმნა პროლეტარული თეატრი „მაჩხი" („ურო"), 1931 კესონში — მასობრივი თეატრი, 1932 მასანში — დრამ. ხელოვნ. საზ-ბა, 1932 ფხენიანში — „მომავალის თეატრი" და სხვ. იაპონელთა ბატონობის პერიოდში ეროვნ. თეატრების მოღვაწეობას აკონტროლებდა იაპ. ცენზურა.

კინო. პირველი ფილმი კ-ში 1921 გადაიღეს. 20-იან წწ. II ნახევარში დაიდგა ფილმები, რ-იც ხალხის მძიმე ცხოვრებას ასახავდა („მაჯანწალა", 1927; „დაბინდული ქუჩა", „ბნელი გზა" — ორივე 1928 და სხვ.). ეროვნ. პროგრ. კინოხელოვნ. განვითარების ხელი შეუწყო რეჟისორმა, სცენარისტმა და მსახიობმა ნა ფენ გიუმ, რ-ის ფილმებში („არირანი" 1926, „სიყვარულის ძიებაში", 1923 და სხვ.) აისახა კოლონიალიზმისა და სოც. უსამართლოების პროტესტი. 30—40-იან წლებში კ-ის კინემატოგრაფიას კონტროლს უწევდა იაპონია, ეკრანებზე ძირითადად გერმ., იტალ. და იაპ. ფილმების უწვენებდნენ.

ლიტ.: История Кореи, т. 1—2, М., 1973; Корея. История и экономика, М., 1958; Еременко Л., Иванова В., Корейская литература. Краткий очерк, М., 1961; Глухарёва О. Н., Архитектура Кореи, წგნ.: Всеобщая история архитектуры, т. 9, Л.— М., 1971; მისივე, Искусство Кореи, წგნ.: Всеобщая история искусств, т. 2, кн 2, М., 1961; Корейское классическое искусство. Сб. ст., М., 1972.

III. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (კსდრ)

კსდრ მდებარეობს კორეის ნ.-კ-ის ჩრდ. ნაწილში და ნაწილობრივ კონტინენტზე. ფართ. 121,2 ათ. *კმ*². მოსახლ. 17 მლნ. კაცი (1978, შეფასება). დედაქალაქი—ფხენიანი. ოფიც. ენა—კორეული. ეროვნ. დღესასწაული—9 სექტ.—კსდრ-ის შექმნის დღე (1948). ფულის ერთეულია ვონა. სსრკ-ის სახელმწ. ბანკის კურსით (1980 დეკ.) 100 ვონა=74,93 მანეთს. ადმინისტრაციულად კსდრ იყოფა 9 პროვინციად. პროვ. სტატუსი აქვს აგრეთვე ქ-ებს ფხენიანსა და კესონს.

მოსახლეობა. ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 40% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში, 30%-ზე მეტი—მრეწველობაში. სიმჭიდროვე ყველაზე მაღალია ჰუანხე-ნამდოს პროვინციაში. მოსახლ. დაახლ. 50% ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია ფხენიანი (დაახლ. 1,5 მლნ. მცხ., 1977).

სახელმწიფო წესწყობილება. კსდრ სოციალ. სახელმწიფოა. მოქმედებს 1972 კონსტიტუცია. უმაღლესი სახელმწ. და საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი უზენაესი სახ. კრება (მოსახლ. ირჩევს 4 წლით) და მისი მუდმივი საბჭო. საარჩევნო უფლება მოქალაქეებს 17 წლიდან ეძლევათ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს ცენტრ. სახ. კომიტეტს — სახელმწ. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს (მას უმაღლესი სახ. კრება ირჩევს 4 წლით). პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალიც. აღმასრ. ხელისუფლება ეკუთვნის ადმ. საბჭოს. მის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი და ცენტრ. სახ. კომიტეტი.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა— იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ისტორიული ნარკვევი. კსდრ-ის შექმნა (1948) დიდმნიშვნელოვანი იყო მთელი კორ. ხალხის ცხოვრებაში. ახალგაზრდა

რესპ. მშრომელთა წინაშე რთული ამოცანები იდგა. 1949 მან მიიღო 2-წლიანი სახ.-სამ. გეგმა, რ-იც ითვალისწინებდა სახ. მეურნ. აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებას. 1949 მარტში კსდრ-მ და სსრკ-მა ხელი მოაწერეს ეკონ. და კულტ. თანამშრომლობის შეთანხმებას. 1949 ივნ-ში ჩრდ. და სამხრ. კ-ის შრომის პარტიების ცკ-ის გაერთ. პლენუმის გადაწყვეტილებით, ორივე პარტია გაერთიანდა *კორეის შრომის პარტიად* (კშპ). 1949 ივნ-ში შეიქმნა ერთიანი დემოკრ. სამამულო ფრონტი (ედფ), რ-მაც 1949 და 1950 წამოაყენა ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანების წინადადება, რაც უარყვეს სამხრ. კ-ის ხელისუფლებმა. აშშ-ის წაქეზებით და ხელშეწყობით 1950 წ. 25 ივნ. სამხრ. კ-ის მხედრიონმა კსდრ-ის წინააღმდეგ (მისი მოსპობის მიზნით) წამოიწყო საომარი მოქმედება. აშშ მაშინვე ჩაერია კ-ის საშინაო კონფლიქტში. ინტერვენციაში „გაეროს ჯარების" აბრით, ზოგიერთი სხვა ქვეყანაც მონაწილეობდა. ომში მონაწილეთა ნახევარზე მეტს აშშ-ის შეიარაღებული ძალები შეადგენდა. კსდრ-ის მშრომელებმა სამამულო განმათავისუფლებელ ომში (1950—53) მსოფლიო პროგრ. ძალების მხარდაჭერით, ჩინ. სრ-ის მოხალისეთა რაზმების და სხვა სოციალ. ბანაკის ქვეყნების ინტერნაციონალური დახმარებით შეძლეს აშშ-ის აშკარა აგრესიის მოგერიება. აშშ იძულებული გახდა 1953 წ. 27 ივლ. ხელი მოეწერა დაზავებაზე.

ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა კსდრ-ის სახ. მეურნეობას, რ-ის სალიკვიდაციოდ შემუშავდა სახ. მეურნ. აღდგენისა და განვითარების 3-წლიანი გეგმა (1954—56). იგი ითვალისწინებდა არა მარტო აღდგენას და ომამდელი ღონის (1949) მიღწევას, არამედ სახ. მეურნ. მნიშვნელოვან რეკონსტრუქციასაც. სსრკ-ისა და სხვა სოციალ. ქვეყნების უანგარო დახმარებამ უზრუნველყო ამ გეგმის წარმატებით შესრულება. 1953-იდან კშპ-ის ხელმძღვანელობით დაიწყო სოფ. მეურნ. სოციალ. კოოპერირება, რაც წარმატებით დამთავრდა 1958. ასეთივე გარდაქმნები შეეხო კერძო მწარმოებლებს, კუსტარებსა და ვაჭრებს. ისინიც სხვადასხვა ტიპის კოოპერატივებში გაერთიანდნენ. ამის შედეგად 1958-იდან კსდრ-ის სახ. მეურნ. ყველა დარგში გაიმარჯვა სოციალ. საწარმოო ურთიერთობამ. ძირეულად შეიცვალა კსდრ-ის საზ-ბის კლასობრივი სტრუქტურაც. 1956 კშპ-მ მიიღო კ-ში სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნის პროგრამა, რაც აისახა 5-წლიან (1957-იდან) და 7-წლიან (1961-იდან) გეგმებში. კსდრ ჩამორჩენილი ქვეყნიდან ინდუსტრ.-აგრ. ქვეყანა გახდა. სოციალ. მრეწვ. შეუფერხებელი ზრდის კვალდაკვალ მიმდინარეობდა სოფ. მეურნ. შემდგომი განვითარება. ამაღლდა მატერ.-ტექ. ბაზა, გაფართოვდა სარწყავი ფართობი, გადიდდა სასუქების გამოყენების რაოდენობა, იმატა შრომის ნაყოფიერებამ და მოსავლიანობამ. სოფლადაც მისი წარმატებით კოოპერირების შედეგად, მტკიცედ დამკვიდრდა სოციალ. საწარმოო ურთიერთობანი. უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს განათლებისა და მეცნ. დარგებშიც. სოციალ. საწარმოო ურთიერთობების დამკვიდრებამ და სახ. მეურნ. დაჩქარებულმა განვითარებამ მკვეთრად აამაღლა მოსახლ. კეთილდღეობა და კულტ. დონე.

1970 კშპ-ის V ყრილობამ შეაჯამა 7-წლიანი გეგმის რეალიზაციის შედეგები და აღნიშნა, რომ იგი გადაჭარბებით შესრულდა. კსდრ სოციალ. ინდუსტრ. სახელმწიფო გახდა. ყრილობამ მიიღო სახ. მეურნ. განვითარების 6-წლიანი გეგმა (1971—76), რ-ის ამოცანად დასახა ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, ტექ. რეკ. გატარება და სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის განმტკიცება.

1972 დეკ. კსდრ-ის უმაღლესმა სახ. კრებამ მიიღო ახ. კონსტიტუცია, რ-მაც იურიდიულად განამტკიცა სოციალ. მონაპოვარი. 1975 სექტ., 4 წელსა და 8 თვეში შესრულდა ქვეყნის სახ. მეურნეობის განვითარების 6-წლიანი (1971—76) გეგმა. 1978 დეკ. დამტკიცდა კსდრ-ის სახ. მეურნ. განვითარების მე-2, შვიდწლიანი (1978—84) გეგმა.

კსდრ წლების განმავლობაში ატარებს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას. მოითხოვს კ-ის მშვიდობიანი გზით გაერთიანებას თვით კორეელი ხალხის ნებასურვილის შესაბამისად. იგი თანმიმდევრულად იბრძვის კოლონიალიზმის, რასიზმისა და ყოველგვარი აგრესიის წინააღმდეგ, მხარს უჭერს საყოველთაო განიარაღებას, სხვადასხვა სოციალ. სისტემის მქონე სახელმწიფოებთან ეკონ.-მეცნ. და კულტ. თანამშრომლობის განვითარებას. კსდრ-ს დიპლ. ურთიერთობა აქვს დამყარებული 93 სახელმწიფოსთან (1977).

ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი. სახ. ხელისუფლების წლებში კსდრ ჩამორჩენილი კოლონ. ქვეყნიდან ინდუსტრ.-აგრ. სოციალ. სახელმწიფოდ გადაიქცა. სოც.-ეკონ. გარდაქმნებმა — მიწის რეფორმამ (1946), მრეწვ. ნაციონალიზაციამ (1946), სოფ. მეურნ. კოოპერირებამ (1953—58) და სხვ. გამოიწვია მწარმოებლურ ძალთა სწრაფი აღმავლობა. სოციალიზმის მატერ.-ტექ. ბაზის შექმნა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა, რაც განხორციელდა სახ. მეურნ. განვითარების გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად. კსდრ-ის ეკონ. განვითარებას დიდად უწყობს ხელს სსრკ-სა და სხვა სოციალ. ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა. სსრკ-ის დახმარებით აღადგინეს და ააგეს ბევრი საწარმო, მ. შ. სუფხუნის ჰესი, ჩხონჯინის მეტალ. ქ-ნა, ფხენიანის საფეიქრო კომბინატი, სინფხოს თევზსაკონსერვო ქ-ნა, ჰინამის აზოტიანი სასუქების ქ-ნა, ფხენიანისა და პუქჩხანის თესები და სხვ.

მრეწველობა. 1970 სამრეწვ. წარმოების მოცულობამ 21-ჯერ გადააჭარბა ომამდელ, 1949 დონეს. შეიცვალა მრეწვ. სტრუქტურა. კოლონ. პერიოდში კ-ის ჩრდ. ნაწილში, სამხრ. ნაწილისაგან განსხვავებით, სამთამადნო, მეტალ. და ენერგეტ. მრეწვ. უფრო იყო განვითარებული, ვიდრე მსუბუქი და კვების მრეწვ. დარგები. სახ. ხელისუფლების წლებში შეიქმნა მანქანათმშ., ორგ. ქიმ. დარგები, საშენ მასალათა მრეწვ. და სხვ., მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტ. მეურნეობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

1975 კსდრ-ში ამოიღეს 49,5 მლნ. *ტ* ქვანახშირი. ანთრაციტის მთლიანი მოპოვების დაახლ. 90% მოდის ჩრდ. ქვანახშირის აუზზე, მურა ნახშირის მოპოვების 2/3—ტუმინძიანის აუზზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რკინის მადნის მოპოვებას, რ-საც უმთავრესად მუსანის საბადო იძლევა. იღებენ აგრეთვე ტყვია-თუთიას, ვოლფრამის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, მანგანუმის, ქრომის, კობალტის შემცველ მადანს, მაგნეზიტსა და გრაფიტს.

ჰიდროენერგორესურსები უზრუნველყოფს ელექტროენერგიის წარმოების (26 მლრდ. *კვტ. სთ*, 1975) დაახლ. 3/4-ს. ჰიდროენერგეტ. კომპლექსებია შექმნილი მდ. იალუძიანის აუზში; თესებიდან უდიდესია პუქჩხანისა და ფხენიანის თესები.

შავი მეტალურგია კონცენტრირებულია უმთავრესად ქვეყნის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (ჩხონჯინი, კიმ-ჩაკი, პუროინი) და მდ. ტედონგანის ქვემოთში (სონიმი, კანსონი). ფერადი მეტალ. ცენტრებია ნამფხო, მუნფხიონი და ჰამჰინი.

მრეწვ. წამყვანი დარგია მანქანათმშენებლობა: ჩარხთ-, ხელსაწყოთ-, ავტო-, ტრაქტორთ-, გემთმშენებლობა, სამთოსაშახტო, მეტალ., ქიმ. და სას.-სამ. მანქანათმშ., იარაღების წარმოება, ელექტროტექ. მრეწველობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრებია ფხენიანი, ნამფხო, სინიიჯუ, ჩხონჯანი, ჰამჰინი, ვონსანი და სხვ.

განვითარებულია ქიმ. მრეწველობა. აწარმოებენ მინერ. სასუქებს, კაუსტიკურ სოდას, საღებრებს, სინთეზურ ბოჭკოს, პლასტმასას. ფარმაცევტულ პრეპარატებს, ზამქიმიკატებს და სხვ. ქიმ. მრეწვ. მთავარი ცენტრია ჰინამი. არის რკინაბეტონის კონსტრუქციების, აგურის, ფაიფურ-ქაშანურის ნაკეთობათა დამამზადებელი, ხის დასამუშ. და ცელულოზა-ქაღალდის მრეწვ. საწარმოები.

საფეიქრო მრეწვ. უდიდესი ცენტრია ფხენიანი. საფეიქრო საწარმოებია აგრეთვე სინიიჯუში, კუსონში, კესონში, სარიგონში, კანგეში და სხვ. ფეხსაცმლის მრეწვ. თავმოყრილია უმთავრესად ფხენიანში, სინიიჯუსა და სუნჩხონში.

კვების მრეწვ. საწარმოები თითქმის ყველგანაა. ბევრია ბრინჯსაცეხვი, აგრეთვე სიმინდისა და სოიის გადასამუშ. საწარმოები. ფხენიანის მიდამოებში არის ქვეყანაში უდიდესი ხორცკომბინატი. ფხენიანი თამბაქოს მრეწვ. მნიშვნელოვანი ცენტრიცაა. ქ. ჰუერიონში არის შაქრის საწარმოები. განვითარებულია თევზისა და ზღვის პროდუქტების გადასამუშ. და საკონსერვო მრეწველობა (ჩხონჯინი, სინფხო, სინიიჯუ, ნამფხო და სხვ.).

სოფლის მეურნეობა. სას.-სამ. წარმოების მოცულობა 1970 წ. 1949 დონესთან შედარებით 2,5-ჯერ გაიზარდა. სოფ. მეურნ. მთლიან პროდუქციაში მიწათმოქმედების წილი შეადგენს 70%-ზე მეტს, მეცხოველეობისა — დაახლ. 30%-ს. მუშავდება დაახლ. 2 მლნ. *ჰა* მიწა, აქედან დაახლ. 1/3 სარწყავია. სათესი ფართობის 2/3-ზე მეტი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს (8,5 მლნ. *ტ*, 1977), დაახლ. 1/5 — ტექ. კულტურებს, დანარჩენი — ბოსტნეულს, კარტოფილს, საკვებ კულტურებს. სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ბრინჯი (3,5 მლნ. *ტ*, 1976), ურწყავზე — სიმინდი (3,8 მლნ. *ტ*, 1976) და ფეტვი. კსდრ სოიის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია. მოჰყავთ აგრეთვე ბამბა, კანაფი, თამბაქო, შაქრის ჭარხალი. კესონის რ-ნში ჟენ-შენის პლანტაციებია. განვითარებულია მეხილეობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესაქონლეობის, მეფრინველეობისა და მეაბრეშუმეობის განვითარებას.

დიდ როლს თამაშობს თევზჭერა და ზღვის პროდუქტების მოპოვება (21,6 მლნ. *ტ*, 1977) და გადამუშავება. სამრეწვ. მნიშვნელობა აქვს მინტაის, სკუმბრიას, თინუსს, ქაშაყს, ცხრაფეხას, გარნელს, ზღვის ზღარბს და სხვ.

ტყეს დაახლ. 9 მლნ. *ჰა* უჭირავს. ყოველწლიურად ამზადებენ დაახლ. 5 მლნ. $м^3$ ხე-ტყეს, უმთავრესად მდ-ების იალუძიანისა და ტუმინძიანის ზემოთში.

ტრანსპორტი. სარკინიგზო ტრანსპ. წილად მოდის მთელი ტვირთბრუნვის 9/10 და მგზავრთა გადაყვანის 2/3-ზე მეტი. რკინიგზის სიგრძე 6 ათ. *კმ*-ზე მეტია, მ. შ. 4 ათ. *კმ* ელექტრიფიცირებულია. საავტ. გზების სიგრძე 21 ათ. *კმ*-ზე მეტია. მდინარეთა ქვემოთში ნაოსნობაა. მთავარი საზღვ. ნავსადგურებია: აღმ. სანაპიროზე — ჩხონჯინი, ჰინამი, ვონსანი; დას. სანაპიროზე — ნამფხო. ვითარდება ავიამიმოსვლა.

პულგუქსის სატაძრო კომპლექსის პაგოდა ტაბოთაპი. კიონჯუს მახლობლად. 751.

პოპჩხონსის ტაძრის პაგოდა პიონმიოთაპი. სეული. 1085.

ფხენიანის ელმავალსაშენი ქარხანა. საამწყობო საამქრო.

ბუდას სტატუა, სოკურამის ტაძარი. კიონჯუს მახლობლად. გრანიტი. VIII ს.

ბოდჰისატვის გამოსახულება. რელიეფი, სოკურამის ტაძარი, კიონჯუს მახლობლად. გრანიტი. VIII ს.

საგარეო ეკონომიკური კავშირები. კსდრ-ს სავაჭრო ურთიერთობა აქვს დაახლ. 100 ქვეყანასთან (1978). გააქვთ მინერ. ნედლეული, საშენი მასალა და სხვ., შეაქვთ მანქანა-მოწყობილობანი, სათბობი, ბამბა. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია სოციალ. ქვეყნები.

სახალხო განათლება. 1968 შემოიღეს საყოველთაო სავალდებულო 9-წლიანი სწავლება: 4-წლიანი დაწყ. სკოლა და I საფეხურის 5-წლიანი საშ. სკოლა. II საფეხურის 2-წლიანი საშ. სკოლა იძლევა დასრულებულ საშ. განათლებას და უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებას. 3—4-წლიანი უმაღლესი სკოლები საშ. სპეც. სასწავლებლებია. 1978 ყველა სახის სკოლაში სწავლობდა 3 მლნ-მდე მოსწავლე. 1973 კანონით შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო 10-წლიანი სწავლება და 1-წლიანი სკოლამდელი აღზრდა. პირველი უმაღლესი სასწავლებელი — კიმ ირ სენის სახ. უნ-ტი ფხენიანში გაიხსნა 1946 (1978 სწავლობდა 16 ათ-ზე მეტი სტუდენტი). 1959 გაიხსნა 15 უმაღლესი სასწავლებელი, უმთავრესად ტექნიკური. 1978 იყო 130-მდე უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობდა 200 ათ-ზე მეტი სტუდენტი.

1948 შემდეგ კსდრ-ში შეიქმნა სამეცნ. დაწესებულებანი: ცენტრ. ქიმ. ინ-ტი, სამთო მრეწვ. ცენტრ. ინ-ტი. 1952 დაარსდა *კორეის მეცნიერებათა აკადემია*, ხოლო 1963 — სას.-სამ. მეცნიერებათა აკადემია, რ-შიც შედის 10 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1964 მეცნ. აკადემიას გამოეყო საზ. მეცნ. აკადემია (მის შემადგენლობაშია 8 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, 1975), აგრეთვე დაარსდა მეტყევეობის აკადემია, სამეცნ.-კვლ. ინ-ტები და ლაბორატორიები რადიოელექტრონიკის, ავტომატიკის, ბირთვული ტექ. დარგებში, რ-ებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოებასთან.

ფხენიანში არის სახელმწ. ცენტრ. ბ-კა (დაარსდა 1945; 1,5 მლნ. ტ.), ჰ-ის მეცნ. აკად. ბ-კა (1954; 2 მლნ-მდე ტ.), ცენტრ. ისტ. მუზეუმი (1928), კორ. რევ. მუზეუმი (1948), ეთნოგრ. მუზეუმი (1956), ნატიფი ხელოვნ. ცენტრ. მუზეუმი (1945) და სხვ.

1978 კსდრ-ში გამოდიოდა 20-ზე მეტი ჟურნალ-გაზეთი კორ., ინგლ., ფრანგ., იაპ., რუს. და ჩინ. ენებზე.

ჰ-ის ცენტრ. დეპეშათა საagენტო დაარსდა 1946 ფხენიანში. რადიოგადაცემები მიმდინარეობს კორ., რუს., ინგლ., ფრანგ., ესპ., იაპ., ჩინ. ენებზე. 1967-იდან ფხენიანში მუშაობს ტელეცენტრი.

ლიტერატურა. ჩრდ. ჰ-ში 1945-იდან შეიქმნა სოციალ. ლიტ-რა, რ-იც აგრძელებს კორ. პროგრ., განსაკუთრებით პროლეტ. ლიტ-რის ტრადიციებს. უფროსი თაობის პოეტებთან პაკ ფხარ იანთან, მინ ბიონ გიუნთან, პაკ სე იონთან ერთად ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებების ძირითადი თემაა ახ. ცხოვრება. დიდი პოპულარობით სარგებლობდა პოეტი—ტრიბუნი ჩო გი ჩხონი (1913—51). 30-იანი წლების ანტიიაპ. პარტიზ. მოძრაობა, დემოკრ. მოძრაობა, დემოკრ. გარდაქმნები სოფლად აისახა ჩხვე მიონ იკის, ჩხონ სე ბონის მოთხრობებში, ლი გი იონის რომანში („მიწა" 1948—60). მწერლები ლი ბუკ მიონი, ჰუან გონი, იუნ სე ჯუნი ქმნიან ნაწარმოებებს, რ-თა თემაა მუშათა კლასის ცხოვრება. 1950—53 სამამულო განმათ. ომთან დაკავშირებით გაძლიერდა ჰეროიკული და პატრ. მოტივები, შეიქმნა სამხ. პუბლიცისტიკა. ომის შემდგომი პერიოდის თემაა მშვიდობიანი მშენებლობა, აღსანიშნავია პოეტების ლი ჰო ილის, პეკ ინ ჯუნის და სხვ. შემოქმედება. ვითარდება თანამედროვე რომანი (მწერლები იუნ სე ჯუნი, ჩხონ სე ბონი, ომ ჰინ სოპი). 60—70-იანი წწ. კსდრ-ის ლიტ-რაში აისახა სოციალ. მშენებლობის მიღწევები. ფართოდ გავრცელდა ჩემუარული ჟანრი.

ხელოვნება. კსდრ-ის შექმნისა (1948) და ომის (1950—53) დამთავრების შემდეგ ფართოდ გაიშალა ქალაქმშენებლობა. 1945—53 შემუშავდა ფხენიანის გენ. გეგმა. აღადგინეს და რეკონსტრუქცია გაუკეთეს ქ-ებს (ჰამჰინი, ვონსანი, ნამფხო და სხვ.). კორ. არქიტექტორებთან (კიმ ჯონ ჰი, ლი ჰიონი და სხვ.) ერთად მუშაობდნენ უცხოელი სპეციალისტებიც. 1950—60-იანი წწ. დასაწყისში საზ. შენობაია მშენებლობაში ინტენსიურად იყენებდნენ კორ. შუა საუკ. არქიტ. ფორმებს (ფხენიანის დიდი თეატრი, 1960). 60-იანი წწ. II ნახევრიდან გავრცელდა ახ. სამშენებლო კონსტრუქციები და მასალები (კიმ ირ სენის სახ. სახელმწ. უნ-ტი, II რიგი, 1972), ფართოდ გაიშალა ტიპობრივი პროექტებით ძშენებლობა, ამავე დროს შენარჩუნებულია კეთილმოწყობის ეროვნ. თავისებურებანი (იაპაკიდან გათბობის სისტემა). დიდი ყურადღება ეთმობა საკურორტო და სასოფლო მშენებლობას. აღორძინდა და განვითარდა მხატვრული შემოქმედების ეროვნ. ტრადიციები (ჩ. შ. ტუშითა და წყლის საღებავებით ფერწერა). ამ დარგში მოღვაწეობდნენ მხატვრები ლი ჩხონი, ჩხვე ვიონ გინი და სხვ. ზეთის საღებავებით ფერწერის ოსტატები არიან კიმ ჯონ ნამი, მუნ ჰაკ სუ და სხვ. განვითარდა გრაფიკა, დაზგური მონუმენ. ქანდაკება (მუნ სოკ ო, ჩო გიუ ბონი და სხვ.). დეკორ.-გამოყენებით ხელოვნებაში შენარჩუნებულია უძველესი ტრადიციები.

1953 ფხენიანში დაარსდა კორ. მხატვართა კავშირი, 1954 — კორ. არქიტექტორთა კავშირი.

ჰ-ის განთავისუფლების (1945) შემდეგ ყველა პირობა შეიქმნა მუს. ხელოვნ. განვითარებისათვის. პირველ წლებში ძალიან მასობრივი სიმღერა გავრცელდა (კომპოზიტორები: ლი მიონ სანი, სინ დო სონი, კიმ ოკ სონი და სხვ.). ხალხ. სიმღერებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ პროფესიონალი კომპოზიტორები ჰუან ჰაკ კინი და კიმ ჯე სონი. დიდ ქ-ებში გაიხსნა მუს. სასწ. დაწესებულებანი (1949 — კონსერვატორია ფხენიანში), საკონცერტო დარბაზები, მუს. თეატრები. მუს. თეატრში განვითარდა ორი ჟანრი — ჩჰანგეკი (სახ. მუს. დრამა) და კაგეკი (თანმედროვე ოპერა). 1947—49 ფხენიანში გაიხსნა სახელმწ. სახ. სამხატვრო თეატრი და სახელმწ. სამხატვრო თეატრი. სამამულო განმათ. ომის პერიოდში (1950—53) თეატრი განაგრძობდა მუშაობას ფხენიანში, დგამდა პატრ. ხასიათის ნაწარმოებებს. ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუს. კულტ. გეგმაზომიერი განვითარება. 1953 შეიქმნა კსდრ-ის კომპოზიტორთა კავშირი. 1955 ფხენიანში აშენდა ახ. თეატრები და საკონცერტო დარბაზები. შეიქმნა ფილარმონია, დიდი სიმფ. ორკესტრი. დაფინანსდა სახელმწ. სამხატვრო თეატრი. მისი საუკეთესო დადგმებია: ლი მიონ სანის და სინ დო სონის „მიამბე, ტაიგა". ლი მიონ სანის „კიონუ და ჩინე". ჰამ ჰონ გინის „მთავარე კიმ-ვანსანის მთებში" და სხვ. დიდი მიღწევები მოიპოვა 1946 ფხენიანში შექმნილმა საბალეტო სტუდიამ (1952-იდან — სახელმწ. საბალეტო სტუდია). მის რეპერტუარშია ჩხვე ოკ სამის „თქმულება სადოსონის ცხესიმაგრეზე", ჩხვე ოკ სამის, ლი სოკის, კიმ მუნ სონის „კაშკაშა მზის ქვეშ".

განთავისუფლების შემდეგ (1945) კსდრ-ის თეატრების რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეროვნ. დრამატურგიას. 1947—49 ფხენიანში გაიხსნა სახელმწ. თეატრი (ახლანდ. სახელმწ. დრამ. თეატრი), სახელმწ. სახ. მხატვრული თეატრი (ახლანდ. ფხენიანის საქალაქო თეატრი). ამავე წლებში დასები ჩამოყალიბდა ტრანსპ. სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვ. 1950—53 ომის წლებში თეატრების დასები დაიყო პატარა მოძრავ თეატრებად, რ-ებიც სპექტაკლებს მართავდნენ ფრონტზე და ზურგში. კსდრ-ის თეატრების რეპერტუარის ერთ-ერთი მთავარი თემაა სოციალიზმის. მშენებლობა და იაპ. დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა.

კსდრ-ში კინემატოგრაფია განვითარდა განთავისუფლების (1945) შემდეგ — შეიქმნა კინოსტუდია (1947; 1948-იდან — სახელმწიფო), რ-ის ბაზაზე გაიხსნა (1958) მხატვრული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია. 1949 გამოვიდა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი სამშობლო". ჰ-ის კინემატოგრაფიის დიდ მიღწევად ითვლება ფილმები: „თქმულება სადოსონის ცხესიმაგრეზე" (1956), „თქმულება ჩხუნჰიანზე" (1959), „ფენიქსი" (1960) „წითელი ყვავილი" (1963), „მეომრის ფიცი", „ხუთი ძმა პარტიზანი" (ორივე 1969), „სისხლის ზღვა" (1971) და სხვ. 1961 შეიქმნა კორ. კინემატოგრაფისტების კავშირი. კინომოღვაწეთა შორის არიან: კსდრ სახ. არტისტები პაკ ხაკი, ომ გილ სონი; კსდრ დამს. არტისტები მინ ჯონ სიკი, ჰონ ფხილ სონი, პაკ თე სუ და სხვ. 1971 გამოუშვეს 40 მხატვრული ფილმი. მუშაობს (1972) 5 კინოსტუდია.

ლიტ.: Ким Ир Сен, Избр произведения, т. 1—5, Пхеньян, 1970—72; Корея: Север и Юг, М., 1965; Мартынов В. В., Корея, М., 1970; Современная Корея, М., 1971; Шабшина Ф. И., Очерки новейшей истории Кореи (1945—1953 гг.), М., 1958.

Виноградова Н., Искусство Корейской Народно-Демократической Республики, წგნ.: Всеобщая история искусств, т. 6, кн. 2, М., 1966; Латов В. С., Искусство в свободной Корее, М., 1957; Ли В., О периодизации современной корейской литературы, «Народы Азии и Африки», 1963, № 4.

IV. სამხრეთი კორეა

სამხრ. ჰ-ს უჭირავს კორეის ნ.კ-ის სამხრ. ნაწილი. ფართ. 98,4 ათ. *კმ*². მოსახლ. 37,1 მლნ. კაცი (1978, შეფასება). მთავარი ქალაქი — სეული. ოფიც. ენა — კორეული. ფულის ერთეულია ვონა. ადმინისტრაციულად სამხრ. ჰ. იყოფა 9 პროვინციად პროვ. სტატუსი აქვს აგრეთვე ქ-ებს სეულსა და პუსანს.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ 50% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე მაღალია (დაახლ. 350 კაცი 1 *კმ*²-ზე), დაახლ. 45% ცხოვრობს ქ-ებში, რ-თაგან უდიდესია სეული (7,8 მლნ. მცხ., 1978). დიდი ქ-ებია: პუსანი, ტეგუ, ინჩხონი, კვანჯუ, ტეჯონი, ჩონჯუ, მასანი. მოკეფხო.

სახელმწიფო წესწყობილება. სამხრ. ჰ. ფორმალურად რესპუბლიკაა. მოქმედებს 1972 კონსტიტუცია. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ეროვნ. კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), რ-ის 2/3-ს მოსახლ. 6 წლით ირჩევს. საარჩევნო უფლება მოქალაქეებს 20 წლის ასაკიდან ეძლევათ. საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებს ასრულებს აგრეთვე გაერთიანების ეროვნ. საბჭო, რ-იც წარმოადგენს სახელმწიფოს უმაღლეს უპარტიო ორგანოს. მის კომპეტენციაში შედის ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, რ-საც ფართო უფლებამოსილება აქვს (მოსახლ. ირჩევს 6 წლით).

ისტორიული ცნობა. 1948 მაისში ჩატარებული სეპარატული არჩევნებით, რასაც მოჰყვა ე. წ. ჰ-ის რესპ. გამოცხადება, აშშ-ის იმპერიალიზმმა და სამხრ. ჰ-ის რეაქციულმა წრეებმა ბოლომდე მიიყვანეს ერთიანი ჰ-ის გათიშვა. სამხრ. ჰ-ში ამერ. საოკუპაციო ხელისუფლების მფარველობით გაბატონდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების დიქტატურა. მთავარი პოსტები მარიონეტულ მთავრობაში მსხვილი ბურჟუაზიის პრაამერ. ორიენტაციის ჯგუფების წარმომადგენლებმა დაიკავეს. რეაქციულ რეჟიმს 1948—60 სათავეში ედგა დიქტატორი ლი სინ მანი. მისმა მარიონე-

ტულმა მთავრობამ აშშ-თან დადო რამდენიმე ხელშეკრულება: ფინანსებისა და ქონების (1948), ეკონ დახმარების (1950 იანვ.) და ურთიერთდაცვის შესახებ (1953, აგვ.), რასაც მოყვა აშშ-ის აგრესიული ძალებისა და მსხვილი ამერ. მონოპოლიების გაბატონება სამხრ. კ-ში. ამერ. იმპერიალისტებმა სამხრ. კ-ს სამხ. პლაცდარმის როლიც დააკისრეს. გამალებული მილიტარიზაცია, გადასახადების ზრდა და ინფლაცია მძიმე ტვირთად დააწვა სამხრ. კ-ის მოსახლეობას. მუშათა კლასმა დაკარგა ეკონ. და დემოკრ. უფლებები. გაიზარდა უმუშევართა რიცხვი. 1948—51 ორ ეტაპად გატარდა აგრ. რეფორმა, რ-მაც შეზღუდა მემამულური მიწათმფლობელობა და განამტკიცა კულაკთა ფენა. ამ რეფორმამ კიდევ უფრო დააჩქარა გლეხობის დიფერენციაციის პროცესი. მძიმე მდგომარეობა შეექმნათ მრავალრიცხოვან ხელოსნებს ინტელიგენციას, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობას. უცხ. კაპიტალის ძალმომრეობამ მკვეთრად შეალახა წვრილი და საშ. ეროვნ. ბურჟუაზიის ერთი ნაწილის ინტერესებიც. აღნიშნულმა პროცესებმა გაამწვავა შინაპოლიტ. წინააღმდეგობანი, რის შედეგადაც 1960 აპრ. იფეთქა აჯანყებამ. სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციის (პრეზიდენტის ფალსიფიცირებული არჩევნების გამო) ჩახშობამ სახ. აღშფოთება გამოიწვია. 19 აპრ. სეულსა და სხვა ქ-ებში მასობრივი აჯანყება დაიწყო, რ-შიც სტუდენტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ მუშები, წვრილი მეწარმეები, ვაჭრები, მოსამსახურეები. მასობრივმა საერთოდემოკრ. მოძრაობამ დაამხო ლი სინ მანის დიქტატურა, აპრილის აჯანყება მხოლოდ სათავეში მდგომთა გადატრიალებით დამთავრდა. სამხრ. კ-ის რეაქციული რეჟიმის საფუძვლები ხელუხლებელი დარჩა. 1960—61 სამხრ. კ-ში ორი ბურჟ.-მემამულური მთავრობა შეიცვალა, მაგრამ ქვეყნის ეროვნ. ინტერესების სასარგებლოდ არც ერთს არაფერი გაუკეთებია. 1961 წ. 16 მაისს სამხ. გადატრიალების შედეგად ხელისუფლება აიღო სამხ. ხუნტამ გენ. პაკ ჩონ ჰის მეთაურობით. ამერ. იმპერიალისტების მხარდაჭერით მან სასტიკი ტერორი გააჩაღა ქვეყნის დემოკრ. ძალების წინააღმდეგ. 1963 პაკ ჩონ ჰი სამოქალაქო პრეზიდენტი გახდა. ეროვნ. კრების არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა მმართველმა პარტიამ — დემოკრ. რესპ. პარტიამ (შეიქმნა 1963). შინაპოლიტ. კრიზისის შესუსტების მიზნით პაკ ჩონ ჰი საგარეო-პოლიტ. ავანტიურის გზას დაადგა და ჯარი გაგზავნა სამხრ. ვიეტნამში. ამ ნაბიჯმა და კონსტიტუციის შეცვლის ცდამ 60-იანი წწ. II ნახევარში ახ. მასობრივი პროტესტის ტალღა წარმოშვა; რაც ჩაახშვეს ჯარისა და პოლიციის ძალებმა. 1972 დეკ. სამხრ. კ-ის მმართველმა ზედაფენამ მაინც შეძლო მოსახლეობისათვის თავს მოეხვია ახ. კონსტიტუცია, რ-ითაც მნიშვნელოვანად ფართოვდებოდა პრეზიდენტის უფლებები და იზღუდებოდა ეროვნ. კრების ფუნქციები.

მოსახლ. ფართო ფენების მასობრივი უკმაყოფილებისა და პროტესტების მიუხედავად, პაკ ჩონ ჰის რეაქციული დიქტატურა დიდხანს ინარჩუნებდა ძალაუფლებას სამხრ. კ-ში. 1972-მდე სამხრ. კ-ის ნმართველმა წრეებმა უარყვეს კსდრ-ის ყველა კონსტრ. წინადადება ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. 1972 გაზაფხულზე ფხენიანსა და სეულში შედგა მოლაპარაკება კსდრ-ისა და სამხრ. კ-ის ოფიც. წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ერთობლივ განცხადებას, რ-შიც გადმოცემული იყო დამოუკიდებელი მშვიდობიანი გაერთიანების პრინციპები. მაგრამ სამხრეთის მმართველი წრეები აძნელებენ შეთანხმების მიღწევას.

ჩრდ. და სამხრ. კ-ს შორის კონტაქტები შეჩერდა პაკ ჩონ ჰის განცხადების შემდეგ (1973 წ. 23 ივნ.) ქვეყნის ოროვე ნაწილის გაერთიანებ ერთდროულად მიღების შესახებ. 1973—74 გრძელდებოდა სტუდენტებისა და ოპოზიციური პარტიების, კულტის მსახურთა და სხვ. გამოსვლები დემოკრ. უფლებების აღსადგენად, 1972 კონსტიტუციის გადასასინჯად. პაკ ჩონ ჰის მთავრობა აძლიერებდა რეპრესიებს. 1974 აგვ-ში პაკ ჩონ ჰიზე თაკდასხმის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს მისი მეუღლე. მთავრობის რეპრესიები კიდევ უფრო გაძლიერდა. 1977 მმართველი რეჟიმის პოლიტ. სტაბილურობა შეირყა. 1978—79 ოპოზიციური პარტიების, სტუდენტების და სხვ. პატრ. ძალების მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები გაძლიერდა და ფართო მასშტაბი მიიღო. 1979 წ. 26 ოქტ. პაკ ჩონ ჰი მოკლა ქვეყნის სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა, რის შედეგადაც მთელი ძალაუფლება ქვეყანაში გადაეცა დროებითი სამოქალაქო პრეზიდენტისა და უმაღლესი ოფიცრების მიერ შექმნილი ხუნტის ხელში. 1980 წ. 16 აგვ. დროებითი პრეზიდენტი აიძულეს გადამდგარიყო და ამერიკელთა ხელშეწყობით 27 აგვ. სამხრ. კ-ის პრეზიდენტად „აირჩიეს" სამხ. ხუნტის მეთაური გენ. ჩონ დუ ჰვანი.

ეკონომიკა. სამხრ. კ. აგრ., ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანაა. ბატონობს კერძო კაპიტალ. ურთიერთობანი, სოფლად შემორჩენილია ფეოდ.-მეკვახეური გადმონაშთები. ფართოდ არის განვითარებული წვრილსასაქონლო და წვრილი კერძო კაპიტალ. წარმოება, რ-საც თითქმის მთლიანად აკონტროლებს სახელმწ.-მონოპ. კაპიტალი. სამხრ. კ-ის ეკონ. განვითარება ექვემდებარება უცხოეთის, უმთავრესად ამერ., კაპიტალის ინტერესებს. სამხრ. კ-ის ეკონ. განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 1950—53 ომით მიყენებულმა ნგრევამ და კ-ის სამხრ. და ჩრდ. ნაწილების ტრად. სამეურნეო კავშირის გაწყვეტამ.

სოფლის მეურნეობა. მუშავდება დაახლ. 2,3 მლნ. ჰა მიწა, აქედან ნახევარზე მეტი სარწყავია. 1977 მარცვლეულის მოსავალმა შეადგინა 8 მლნ. ტ, მ. შ. ბრინჯმა, რ-იც უმთავრესად სარწყავ მიწებზე მოჰყავთ — 5,8 მლნ. ტ. მარცვლეული კულტურებიდან, გარდა ბრინჯისა, მოჰყავთ ქერი, ხორბალი და სხვ.; ტექ. კულტურებიდან — სოია, ბამბა, თამბაქო, კანაფი, რამი. განვითარებულია მებოსტნეობა, მებაღეობა.

მეცხოველეობა სუსტად არის განვითარებული. აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს (იყენებენ უმთავრესად როგორც გამწევ ძალას) და ღორს. შედარებით განვითარებულია მეფრინველეობა და მეაბრეშუმეობა. ამზადებენ ხე-ტყეს. მისდევენ თევზჭერას.

მრეწველობას ცალმხრივი დარგობრივი სტრუქტურა აქვს. უცხოეთის კაპიტალდაბანდებებმა განაპირობეს უმთავრესად საექსპორტო ორიენტაციის დარგების განვითარება.

ქვანახშირის მოპოვების დაახლ. 2/3 თავმოყრილია აღმ. აუზში, 1/3 — სამხრ. აუზში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვოლფრამის მოპოვებას, რ-ითაც სამხრ. კ. ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ვოლფრამმოპოვებითი მრეწვ. მთავარი ცენტრია სანდონის (კანვონდო) მაღარო. იღებენ ოქროს, ტყვიის, თუთიის, აგრეთვე მოლიბდენის, ვოლფრამის, მანგანუმის, ურანის შემცველ მადანსა და გრაფიტს.

დამუშავებითი მრეწვ. საწარმოები ნახევრად შინამრეწველურია. სამრეწვ. წარმოებაში დიდ როლს თამაშობს ხელოსნობა. შედარებით დიდი საწარმოები, როგორც წესი, უცხოეთის ფირმებს ეკუთვნის. დამუშავებითი მრეწვ. პროდუქციის დიდ ნაწილს იძლევა კვებისა და მსუბუქი, უმთავრესად საფეიქრო მრეწვ. დარგები. არის ბრინჯსაცეხვი, საფქვავი, მაქრის, სოიის გადასამუშ., ღვინის, თამბაქოს, აგრეთვე თევზის გადასამუშ. საწარმოები. საფეიქრო მრეწველობაში ჭარბობს ბამბეულის წარმოება (სეული, ინჩხონი, ტეგუ, კვანჯუ, პუსანი). სამხრ. კ-ის რ-ნები ძველთაგანვე ცნობილია ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების წარმოებით (ჩხონჯუ, სეული, ტეგუ, კვანჯუ, ტეჯონი). ქიმ. მრეწვ. აწარმოებს აზოტიან სასუქებს, გოგირდმჟავას, ფარმაცევტულ და რეზინის ნაწარმს. არის იმპორტ. ნავთობის გადასამუშ. საწარმოები (ულსანი, იოსუ). მეტალურგია და ლითონდამუშავება სუსტადაა განვითარებული. წარმოებს ავტომობილების, ორთქლმავლების, ვაგონების, გემების შეკეთება, რადიომიმღებების, ტელევიზორების, ველოსიპედების, მოტოციკლების, ავტომობილების, ძრავების, ელექტროტექ. მოწყობილობის, საკერავი მანქანების აწყობა. ამზადებენ საოჯახო ნივთებს, მარტივ სას.-სამ. იარაღებს. ფართოვდება საშენ მასალათა წარმოება.

მეცადინეობა სკოლაში. კიმ ჩონ დოს სურათის მიხედვით XVIII ს. ნახატი ქალალდზე.

ტრანსპორტი. შიგა გადაზიდვები უმთავრესად სარკინიგზო ტრანსპორტით ხდება. რკინიგზის სიგრძეა 5,7 ათ. კმ. დიდი ქ-ების (სეული, სუონი, კვანჯუ და სხვ.) მახლობლად გაშენებულია აეროდრომები. მთავარი საზღვ. ნავსადგურებია პუსანი, ინჩხონი, ულსანი, კუნსანი, მოკფხო და სხვ.

საგარეო ვაჭრობა. 1978 ექსპორტმა შეადგინა 12,7 მლრდ. დოლ., იმპორტმა 15,1 მლრდ. გააქვთ უმთავრესად მინერ. ნედლეული (ვოლფრამი და სხვ.), აგრეთვე ქსოვილები, ტრიკოტაჟი და სხვ., შეაქვთ ნედლეული და სათბობი. მთავარი სავაჭრო პარტნიორებია იაპონია, აშშ, გფრ.

განათლება. 1960-იანი წლებიდან სამხრ. კ-ში დაწყ. განათლება ფორმალურად სავალდებულოა, მაგრამ ფაქტობრივად არ სრულდება. სახელმწ. და მუნიციპალური სკოლების გარდა ბევრია კერძო სკოლაც, რ-ებიც ძირითადად ეკუთვნის რელიგ. საზ-ებესა და თემებს. ყველა კატეგორიის სკოლაში სწავლება ფასიანია. 1973 წ. 6-წლიან დაწყ. სკოლაში სწავლობდა 5 მლნ-ზე მეტი მოსწავლე, საშ. სკოლაში — 2 მლნ-მდე მოსწავლე. პროფსასწავლებლებია რეალური სკოლები, 3-წლიანი ტექ. სკოლები და უმაღლესი ტექ. სკოლები. 1973 სწავლობდა 300 ათ-ზე მეტი მოსწავლე: უმაღლესი განათლების სისტემაში შედის უნ-ტები და 4-წლიანი კოლეჯები. არის აგრეთვე 2-წლიანი საშ. კოლეჯები, სას. სასწავლებლები. 1966 უმაღლეს სასწავლებელთა 71% კერძო იყო. 1973 მოქმედებდა 69 უნ-ტი და 4-წლიანი კოლეჯი. 59 — 2-წლიანი კოლეჯი, სადაც სწავლობდა სულ 260 ათ-მდე სტუდენტი. საზღვარგარეთ უმაღლეს განათლებას სამხრ. კ-ის სტუდენტები იღებენ ძირითადად აშშ-ის, საფრ. და გფრ-ის უმაღლეს სასწავლებლებში.

ბოდჰისატვის სტატუა, სოკურამის ტაძარი, კიონჯუს მახლობლად. VIII ს.

მეცნ. საკოორდინაციო ცენტრია მეცნ. ეროვნ. აკად. სეულში (დაარსდა 1954). სამეცნ.-კვლ. მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს უნ-ტებში. კვლევითი მუშაობისათვის იყენებენ საერთაშ. ორგანიზაციების, პირველ რიგში. აშშ-ის სხვადასხვა ფონდის დახმარებას. 1958 შეიქმნა ატომური ენერგიის სამმართველო, რ-ის გამგებლობაშია ატომური ენერგიისა და რადიაციული მედ. ინ-ტები.

სეულშია ეროვნ. ცენტრ. ბ-კა (420 ათ-მდე ტ.), სახელმწ. უნ-ტის ბ-კა (800 ათ-მდე ტ.), ეროვნ. მუზეუმი (დაარსდა 1916), კიონბოკუნის სასახლის სამხატვრო გალერეა (დაარსდა 1916) და სხვ.

1978 სამხრ. კ-ში გამოდიოდა 50-მდე გაზეთი და 300-ზე მეტი ჟურნალი. პროგრ. ბეჭდვითი სიტყვა იდევნება. პრესის უმეტესი ნაწილი მთავრობასთან დაახლოებული კერძო პირების ხელშია. საინფორმაციო სააგენტო „ჰაბტონ თონსინი" 1945 დაარსდა სეულში. იქვეა რადიოსა და ტელევიზიის სახელმწ. სამსახური „კორეან ბროდკასტინგ სისტემი".

ლიტერატურა. იაპ. კოლონიზატორ-

ების განდევნის პირველივე წლებიდან (1945–48) სამხრ. კ-ის ლიტ-რაში მომძლავრდა პატრ. მოტივი. 1948-იდან ოფიც. ლიტ-რაში გაძლიერდა ანტიკომუნისტური ტენდენციები. პროზაიკოსების უფროსი თაობა (იომ სან სოპი, ჩუ იო სოპი და სხვ.) აგრძელედა ნატურალიზმისა და დეკადენტური ლიტ-რის ტრადიციებს. 1954-იდან პროზაიკოსთა ახ. თაობა ფრანგ. ეგზისტენციალიზმის, „ახალი კრიტიკის" კონცეფციის, ანტირომანის გავლენის ქვეშ მოექცა. ომის, აბსურდის, მარტოობის თემა ჭარბობს კიმ სონ ჰანის (დ. 1919), ჩან იონ ჰაკის და სხვ. შემოქმედებაში. ტ. *ელიოტის* გავლენა იგრძნობა კიმ გი რინის, ჩო ბიონ ჰუას და სხვ. პოეზიაში. მისტიციზმი და „აღმოსავლური აზროვნების" სპეციფიკის ძიება ნიშანდობლივია ლი დონ ჯის და ლი ჰიონ გის ნაწარმოებებისათვის. 1960 აჯანყების შემდეგ გამოცოცხლდა პროგრ. ტენდენციები, განვითარდა ე. წ. თანაგრძნობის ლიტ-რა, რ-იც კრიტიკულად აღიქვამს სამხრ. კ-ის საზ.-პოლიტ. სინამდვილეს.

ხელოვნება. 1950–70-იან წლებში სამხრ. კ-ის საზ. შენობები ძირითადად დას. ევრ. სხვადასხვა არქიტ. სტილის გავლენით შენდებოდა (მ. შ. *ფუნქციონალიზმისა*; ავიაკომპანია „კორია ეარ ლაინზის" შენობა სეულში, 1969), იყენებენ ეროვნ. ხუროთმოძღვრულ ელემენტებს, ხოლო საბინაო მშენებლობაში — ტიპობრივ პროექტებს. სახვით ხელოვნებაში 1950–70-იან წლებში მრავალმა მიმდინარეობამ იჩინა თავი, მ. შ. ევრ. ყაიდის რეალისტურმა მიმართულებამ (კიმ ინ სინი, ლი ჯუნ სოპი). XX ს. ევრ. მოდერნისტებს ბაძავენ ფერმწერები კიმ ჰუან გი, ნამ გვანი, მოქანდაკეები ჩონ სან ბომი და სხვ. ეროვნ. ტრადიციების ერთგულია ჰო ბენ ნიონი, მოქანდაკე კიმ გიონ სინი და სხვ. XX ს. ევრ. და ეროვნ. ფერწერის ტრადიციებს ახამებენ თავის შემოქმედებაში ფერმწერები კიმ გი ჩხანი, პაკ ნე ჰიონი და სხვ. გრძელდება დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ტრადიციები.

ეროვნ. მუს. ხელოვნებას უყვარან და ინახავენ ცალკეული ენთუზიასტები. დევნილი პროგრ. მუსიკოსები იძულებული არიან ემიგრაციაში წავიდნენ. მნიშვნელოვანი მუს. ცენტრია სეული. აქ მუშაობს საოპერო დასი (დგამენ სპექტაკლებს ევრ. რეპერტუარიდან), 5 სიმფ. ორკესტრი და მუს. კოლეჯები (6 უნ-ტთან).

1945-ის შემდეგ მრავალი თეატრ. დასი დაიშალა. თეატრის პროგრ. რეპრესირებულმა მოღვაწეებმა ჩრდ. კ-ში დაიწყეს მუშაობა. ეროვნ. თანამედროვე თეატრი 1948 ჩამოყალიბდა, მაგრამ 1950–53 ომის წლებში თეატრის მუშაობა შეფერხდა. ომის შემდგომი თეატრ. ხელოვნება ღაჩრდილა ამერ. კინემატოგრაფიამ. 1960–70 მუშაობდნენ თეატრები „მინჯუნი", „ტონიანი", ექსპერ. თეატრი და პატარა თეატრ. დასები. თეატრი განიცდის დასავლეთის მოდერნისტული ხელოვნების გავლენას.

კინემატოგრაფია 1946 შეიქმნა. 1950–53 კინოხელოვნებაში ჩამოყალიბდა 2 ძირითადი მიმართულება: რეაქციული, რ-იც გამოდის სოციალ. ქვეყნების წინააღმდეგ, და ზომიერად ლიბერალური, რ-ის მოღვაწეები ცდილობენ აჩვენონ სამხრ. კ-ის ბურჟ. საზ-ბის მანკიერებანი. გადაღებული ფილმებიდან აღსანიშნავია „კოშმარული ღამე" (1953), „ზედმეტი ადამიანი" (1965); კინომოღვაწეთა შორის არიან სინ სა როკი, იუნ ბონ ჩხუნი, ან ჯონ ჰუა, კიმ სონ ჩხუნი, ჩონ ჩხან გინი და სხვ. 1975 მუშაობდა 10-ზე მეტი კინოსტუდია.

ლიტ.: История Кореи, т. 1—2, М., 1973; Мазуров В. М., Создание антинародного режима в Южной Корее (1945—1950), М., 1963; Мисюгу, Южная Корея и США (1950—1970), М., 1971; Современная Корея, М., 1971; Южная Корея. Экономическое и политическое положение (1945—1958 гг.), М., 1959.

რუკა—იხ. ჩანართი, გვ. 449. ილუსტრაცია—იხ. ჩანართი გვ. 560–561.

კორეეთი, სოფელი ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე (გურნის სოფსაბჭო), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში. ზ. დ. 480 *მ*, ტყიბულიდან 40 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. ციხის კოლ-ბა (მეჩაიეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ციხიაში (5 *კმ*).

კორეელები (საკ. სახელწ. ჩოსონ სარამ), კორეის ძირითადი მოსახლეობა XX ს. დასაწყისში ერად ჩამოყალიბდა. კ-ის რაოდ. კორეაში 54 მლნ. კაცზე მეტი (1978, შეფასება). ცხოვრობენ აგრეთვე ჩინეთში (დაახლ. 1,5 მლნ. კაცი), იაპ. დიდ ქ-ებში (550 ათ. კაცამდე), სსრკ-ში (უმთავრესად უზბ. და ყაზ. სსრ-ში 357 ათ. კაცი, 1970, აღწერა). ანთროპოლოგიურად განეკუთვნებიან *მონღოლოიდური რასის* აღმოსავლურ-აზიურ შტოს. ლაპარაკობენ *კორეულ ენაზე*. უძველეს ხანაში კ-ის რწმენა-წარმოდგენები დაფუძნებული იყო ბუნების ანიმისტურ კულტსა და შამანიზმზე. IV–VI სს-ში კორეაში გავრცელდა ბუდიზმი, გვიანდ. შუა საუკუნეებში გაბატონდა კონფუციანელობა. XIX ს-ში ქრისტიანობაც შეიჭრა, მაგრამ ფართო გავრცელება ვერ პოვა. კ-ის ეთნოგენეზის მრავალი საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ვარაუდობენ, რომ მათ ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წარმოშობის ეთნ. ჯგუფები, რ-თა შორის წამყვანი ადგილი განეკუთვნებოდათ პროტოალთაურ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებს. კ-ის თანამედროვე კულტურისათვის დამახასიათებელია უძველესი ეროვნ. ტრადიციების შერწყმა ახ. ელემენტებთან.

II მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის შედეგად ერთიანი კორეელი ხალხი გათიშული აღმოჩნდა და ჩრდ. და სამხრ. კორეის განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა. ჩრდ. კორეაში, სადაც კორეის სდრ გამოცხადდა (1948), ხალხი სოციალ. საზ-ბას აშენებს. სამხრ. კორეაში ამერ. ჯარების დახმარებით დამყარდა რეაქციული მარიონეტული რეჟიმი და შენარჩუნებულ იქნა ძვ. ბურჟ. სოც. ურთიერთობა. კ-ის ისტ. მეურნ. და კულტ. შესახებ იხ. სტ. *კორეა*.

ლიტ.: Народы Восточной Азии, М.—Л., 1965.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტი (კედსფ), კორეის პატრიოტული პარტიებისა და ორგანიზაციების საერთო-ეროვნული ფრონტი. კედსფ-ის დამფუძნებელი ყრილობა, რ-ზედაც წარმოდგენილი იყო ჩრდ. და სამხრ. კორეის 70-ზე მეტი პარტია და საზ. ორგანიზაცია, შედგა 1949 წ. 25–28 ივნ. ფხენიანში. კედსფ-ის ხელმძღვანელი და წარმმართველი არის კორ. შრომის პარტია. მის პროგრამაში აისახა ანტიიმპერიალ., ეროვნ.-განმათ. რევ. ამოცანები (ბრძოლა აშშ-ის ჯარების სამხრ. კორეიდან გასაყვანად და ქვეყნის მშვიდობიანი გზით გასაერთიანებლად, სოც.-ეკონ. გარდაქმნების განხორციელება და სხვ). კედსფ-ს არაერთხელ წამოუყენებია კონკრ. წინადადებები კორ. მშვიდობიანი გაერთიანებისათვის. 1950–53 განმათ. ომის დროს კედსფ გამოდიოდა აშშ-ის აგრესიის წინააღმდეგ კორ. სდრ-ის დასაცავად. კედსფ დიდ როლს თამაშობს კორეელი ხალხის შეკავშირებასა და ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრ. კორეისათვის ბრძოლაში.

კორეის კომუნისტური პარტია (კკპ), შეიქმნა 1925 აპრილში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზემოქმედების შედეგად კორეელი ხალხის ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში. კორეელი კომუნისტების ხელმძღვანელობით დაიწყო შეიარაღებული პარტიზ. ბრძოლა იაპ. კოლონიზატორთა წინააღმდეგ. საბჭ. არმიის მიერ კორეის განთავისუფლების შემდეგ (1945 აგვ.) კორ. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ მასობრივ დემოკრ. მოძრაობას და ხელახლა შექმნეს კომპარტია. ქვეყნის გაყოფამ და სამხრეთში აშშ-ის სამხ.-საოკუპაციო ხელისუფლების შექმნამ გაართულა კომპარტიის საქმიანობა. პარტ. ორგანიზაციების ხელმძღვანელობისათვის ჩრდ. კორეის ტერიტორიაზე 1945 წ. 10 ოქტ. შეიქმნა კკპ-ის საორგანიზაციო ბიურო. 1946 ჩრდ. კორეაში კომპარტიის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მშრომელთა ხელისუფლების ორგანოები — სახ. კომიტეტები. სამხრ. კორეაში კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ხალხის მასების მოძრაობას აშშ-ის იმპერიალისტებისა და შინაგანი რეაქციის ანტიხალხ. პოლიტიკის წინააღმდეგ. 1946 აგვ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე კომპარტია გაერთიანდა ახ. სახ. პარტიასთან ჩრდ. კორეაში (შეიქმნა 1946 დასაწყისში) და სახ. და ახ. სახ. პარტიებთან სამხრ. კორეაში (შეიქმნა 1945). ამის შედეგად შეიქმნა ჩრდ. კორ. შრომის პარტია და სამხრ. კორ. შრომის პარტია. 1949 ივნისში ისინი გაერთიანდნენ *კორეის შრომის პარტიად*. *ვ. დონაძე.*

კორეის მეცნიერებათა აკადემია, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, დაარსდა 1952 ფხენიანში; აერთიანებს ფიზ.-მათ., გეოლ.-გეოგრ., ტექ., შავი ლითონების, ფერადი ლითონების, საწვავისა და სათბობის, სილიკატების, მანქანათმშენებლობის, ავტომატიზაციის, საწარმოო მიკრობიოლ., ექსპერ. ბიოლ., ზოოლ., ბოტან., ქიმ., ბოჭკოს და ქიმ.-ტექ. ინ-ტებს. აკად. ფილიალია ჰამჰინში და მის შემადგენლობაში შედის არაორგ., ორგ., მაღალმოლეკულური და ანალიზური ქიმ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, ობსერვატორია და სამეცნ.-ექსპერ. ქ-ნა. ჰ. მ. ა. შედის მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტში; კოორდინაციას უკეთებს სას.-სამ. და სამედ. აკადემიების მუშაობას.

კორეის ნახევარკუნძული, ნახევარკუნძული აღმ. აზიაში, იაპონიის ზღვასა (აღმ.) და ყვითელ ზღვას (დას.) შორის. კონტინენტთან შეერთებულია კორეის ყელით. სიგრძე დაახლ. 600 *კმ*, სიგანე 200 *კმ*, ფართ. დაახლ. 150 ათ. *კმ*². შედის კორეის შემადგენლობაში (კორ. სდრ და სამხრ. კორეა). აღმ. სანაპირო სუსტად არის დანაწევრებული, დას. და სამხრ. სანაპიროსთან ბევრი ყურეა. მაქს. სიმაღლე 1915 *მ* (აღმ. კორეის მთები). ჰავა ზომიერია, მუსონური; სამხრ-ით სუბტროპიკული. ნალექები 900–1500 *მმ* წელიწადში. ფართოფოთლოვან ფოთოლმცვივან ტყეს სამხრ-ით ცვლის სუბტროპ. მარადმწვანე ტყე, 900 *მ*-ზე მაღლა შერეული ტყეებია.

კორეის სრუტე, სრუტე კორეის ნ.-კ-სა და იაპონიის კ-ებს (იკი, კიუსიუ, ჰონსიუ) შორის. აკავშირებს იაპონიისა და აღმ. ჩინეთის ზღვებს. სიგანე 180 *კმ*. უმცირესი სიღრმე ფარვატერზე 115 *მ*. ცუსიმის კ-ებით იყოფა ორ გასასვლელად: აღმოსავლეთის (სამხრ.-აღმ-ით) და დასავლეთის (ჩრდ.-დას-ით).

კორეის შრომის პარტია (კშპ), 1945 წ. 10 ოქტ. ჩრდ. კორეის 5 პროვინციის პასუხისმგებელი პარტიული მუშაკებისა და აქტივისტების დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა *კორეის კომუნისტური პარტიის* ჩრდ. კორეის საორგანიზაციო ბიურო. ეს ითვლება კშპ-ის შექმნის თარიღად. 1946 აგვ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე კომპარტია გაერთიანდა ახ. სახ. პარტიასთან (შეიქმნა 1946 დასაწყისში) ჩრდ. კორ-ში 1946 ნოემბ.—სახ. და ახ. სახ. პარტიებთან (შეიქმნა—1945) სამხრ. კორ-ში ამის შედეგად შეიქმნა ჩრდ. კორ. შრომის პარტია და სამხრ. კორ. შრომის პარტია. 1949 ივნისში ისინი გაერთიანდნენ ერთიან კშპ-დ. კშპ-ის ცკ-ის თავ-რედ აირჩიეს *კიმ ირ სენი*.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩრდ. კო-

რეაში მოკლე დროში განხორციელდა რადიკალური დემოკრ. გარდაქმნები. მოისპო იაპ. იმპერიალისტთა მიერ შექმნილი ძვ. სახელმწ. აპარატი, შეიქმნა სახელმწ. ხელისუფლების ახ. ორგანოები — სახ. კომიტეტები. 1946 თებ-ში მუშათა და გლეხთა კავშირის ბაზაზე მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჩრდ. კორ. დროებითი სახ. კომიტეტი — სახ. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. გატარდა მიწის რეფორმა (1946 მარტი), მრეწვ. ნაციონალიზაცია (1946 აგვ.). მოკლე დროში დამთავრდა ანტიიმპერიალ., ანტიფეოდ. დემოკრ. რევოლუცია, დაიწყო სოციალიზმში თანდათანობით გადასვლა, კშპ-ის ინიციატივით 1948 აგვ-ში ჩრდ. და სამხრ. კორ. ჩატარდა უმაღლესი სახ. კრების საყოველთაო არჩევნები, რ-ის პირველმა სესიამ 1948 წ. 9 სექტ. მიიღო კონსტიტუცია, გამოაცხადა კორ. სდრ-ის შექმნა და ჩამოყალიბა მთავრობა კიმ ირ სენის მეთაურობით. 1949 კშპ-ის ინიციატივით შეიქმნა *კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტი*. კორეელი ხალხის სამამულო-განმათ. ომის პერიოდში (1950—53), კშპ იყო ამერ. ინტერვენტებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ საყოველთაო-სახ. ბრძოლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. 1953 აგვ. კშპ-ის ცკ-ის VI პლენუმმა დაამტკიცა ომისშემდგომი მშენებლობის გენ. ხაზი, რ-იც ითვალისწინებდა ძირითადად მძიმე მრეწვ. განვითარებას მსუბუქი მრეწველობისა და სოფ. მეურნ. ზრდასთან ერთად, ასევე სოფ. მეურნეობის სოციალ. კოოპერირებას. კშპ-ის ცკ-ის პლენუმის ეს დადგენილება დაედო საფუძვლად კორ. სდრ-ის სახ. მეურნ. აღდგენისა და განვითარების სამწლიან გეგმას (1954—56), რ-იც წარმატებით განხორციელდა.

კშპ-ის III ყრილობამ (1956 აპრ.) მიიღო სოციალიზმის მატერიალურ-ტექ. ბაზის შექმნის პროგრამა, განსაზღვრა კორ. სდრ-ის სახ.-მეურნ. განვითარების ხუთწლიანი გეგმის (1957—61) ძირითადი ამოცანები და მიმართულება. 1958 ბოლოსათვის დასრულდა გლეხთა მეურნ. კოოპერირება და კერძო მრეწვ. და ვაჭრობის სოციალ. გარდაქმნა, რამაც განაპირობა სოციალ. საწარმოო ურთიერთობათა განუყოფელი ბატონობა ქალაქსა და სოფელში.

1961 პარტიის IV ყრილობამ დაამტკიცა სახ. მეურნ. განვითარების შვიდწლიანი გეგმის (1961—67) საკონტროლო ციფრები. ეს გეგმა ითვალისწინებდა სოციალიზმის მტკიცე მატერ.-ტექ. ბაზის შექმნას და მოსახლ. ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. 1966 ოქტ. კშპ-ის კონფერენციამ მოიწონა კშპ ცკ-ის პლენუმის (1962 დეკ.) მიერ შემუშავებული ეკონ. და თავდაცვითი მშენებლობის პარალელური განვითარების კურსი და შვიდწლიანი გეგმის შესრულების ვადა 1970 წლამდე გადაიტანა.

1970 ნოემბ. კშპ-ის V ყრილობამ შეაჯამა შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები და დაამტკიცა ქვეყნის სახ. მეურნ. განვითარების ექვსწლიანი გეგმის (1971—76) ძირითადი ამოცანები.

1972 დეკ. კშპ-ის ინიციატივით მიიღეს კორ. სდრ-ის ახ. კონსტიტუცია. კშპ ხელმძღვანელობს კორეელი ხალხის ბრძოლას ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრ. საწყისებზე. 1980 წ. 10—14 ოქტ. შედგა კშპ-ის VI ყრილობა.

კშპ-ის დელეგაციები მონაწილეობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშ. თათბირების მუშაობაში 1957 და 1960 მოსკოვში.

კშპ აგებულია დემოკრ. ცენტრალიზმის პრინციპზე, პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, ყრილობებს შორის — ცკ, რ-იც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კშპ-ს ცკ-ის პოლიტ. კომიტეტს, სამდივნოს და გენ. სამდივნოს. კშპ-ში ირიცხება 2 მლნ-ზე მეტი წევრი და წევრობის კანდიდატი. კშპ ცკ-ის გენ. მდივანია კიმ ირ სენი. ბეჭდვითი ორგანო გაზ. „ნოდონ სინმუნი" და ჟურნ. „კინოჯა".

კშპ-ის ყრილობები და კონფერენციები (ჩატარდა ფხენიანში): ჩრდ. კორეის შრომის პარტიის I ყრილობა — 1946 წ. 28—30 აგვ.; ჩრდ. კორეის შრომის პარტიის II ყრილობა—1948 წ. 27—30 მარტი; კშპ III ყრილობა—1956 წ. 23—29 აპრ; კშპ I კონფერენცია—1958 წ. 3—6 მარტი; კშპ IV ყრილობა—1961 წ. II—18 სექტ.; კშპ კონფერენცია—1966 წ. 5—12 ოქტ.; კშპ V ყრილობა—1970 წ. 2—3 ნოემბ., კშპ VI ყრილობა—1980 წ. 10—14 ოქტ. *ვ. დონაძე.*

კორელაცია (გვიანდ. ლათ. correlatio—თანაფარდობა), ტერმინი, რ-იც მეცნ. და ტექ. სხვადასხვა დარგში აღნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთშესაბამისობას, თანაფარდობას. იხ. აგრეთვე *კორელაცია* ბიოლოგიაში, *კორელაცია* ლინგვისტიკაში, *კორელაცია* მათემატიკურ სტატისტიკაში.

კორელაცია ბიოლოგიაში, ორგანიზმის ნაწილთა თანამიმართება, რ-იც ვლინდება მისი განვითარებისა და ცხოველქმედების პროცესში. *ჟ. კიუვიემ* კ. უწოდა ორგანოთა მყარ ურთიერთკავშირს, რ-იც მათ შეუღლებულ ცვლილებებს განაპირობებს. დარვინისტული ბიოლოგია კ-ს იხილავს როგორც ნაწილთა ურთიერთგანპირობებულობას ონტოგენეზსა და ფილოგენეზში (ონტოგენეზური და ფილოგენეზური კ.). ფილოგენეზურ კ-ს ა. *სევერცოვმა კოორდინაცია* უწოდა და დღეს კ-ის ცნება უმთავრესად ონტოგენეზური კ-ის გაგებით იხმარება. განასხვავებენ გენომურ კ-ს—ნაწილთა შეუღლებულ ცვლილებებს, რ-იც განპირობებულია გენომის თავისებურებებით, სახელდობრ, *პლეიოტროპიით*, ან ქრომოსომაში ერთი ან მეტი გენის შეჭიდულობით (იხ. *გენთა შეჭიდულობა*); მორფოგენეზულ კ-ს—ჩანასახის ნაწილების ურთიერთმოქმედებას, რ-იც განსაზღვრავს მათ შემდგომ განვითარებას (იხ. *ინდუქცია*); ერგონტულ კ-ს — ინდივიდ. განვითარების პროცესში ისეთი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებას, რ-ებიც ერთმანეთთან საბოლოო ფუნქციითაა დაკავშირებული. კ. ონტოგენეზის უმნიშვნელოვანესი მაინტეგრირებელი ფაქტორია (იხ. *ინტეგრაცია*). კ-ის პრობლემის დამუშავებაში განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის საბჭ. მეცნიერს ი. *შმალგაუზენს*.

ლიტ.: Шмальгаузен И. И., Проблемы дарвинизма, 2 изд., Л., 1969.
ლ. ნათაძე.

კორელაცია ლინგვისტიკაში, ენობრივი ერთეულების ურთიერთდაპირისპირებულობა, თანაფარდობა ენის სისტემაში. ფონოლოგიურ კ-ს უწოდებენ ფონემათა 2 მწკრივს, რ-თა წევრები წყვილ-წყვილად უპირისპირდება ერთმანეთს რაიმე რელევანტური (განმასხვავებელი) ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით. მაგ., გრძლიეობის კ. ზოგიერთ ენაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება გრძელი (მარკირებული ანუ განმასხვავებელი ნიშნის მქონე) და არაგრძელი (არამარკირებული) ხმოვნები.

კორელაცია მათემატიკურ სტატისტიკაში, ალბათური ან სტატისტიკური დამოკიდებულება. კ-ს შუალედური ადგილი უკავია ფუნქციურ დამოკიდებულებასა და *დამოუკიდებლობას* შორის. მაგ., ერთი და იმავე ჯიშის ხეებისათვის ხის სიმაღლე ცალსახად არ განსაზღვრავს მის დიამეტრს, მაგრამ სიმაღლესა და დიამეტრს შორის არსებობს კ.: სიმაღლის ზრდასთან ერთად საშუალოდ იზრდება დიამეტრიც.

სტატისტ. მონაცემებით, კ-ის კვლევისას (იხ. *კორელაციური ანალიზი*) გულისხმობენ, რომ მონაცემები შემთხვევით სიდიდეებზე განმეორებით დაკვირვებათა შედეგებია და სწავლობენ ამ შემთხვევით სიდიდეთა შორის დამოკიდებულებას, გამოხატულს მათი *განაწილების* ან სხვა მახასიათებლების ტერმინებში. X და Y შემთხვევით სიდიდეთა შორის დამოკიდებულება მეღავნდება X-ის მოცემული x მნიშვნელობისათვის Y-ის პირობითი განაწილების ცვალებადობაში x-ის ცვლილებისას. მოცემული X-თვის Y-ის საშ. მნიშვნელობის ცვლილებას აღწერს $E(Y|X=x)$ პირობითი *მათემატიკური ლოდინი*, ე. წ. *რეგრესია*. რ-ის შედარებით უპირობო EY მათ. ლოდინთან მსჯელობენ კ-ის ხარისხზე, მაგ., $\eta_{Y|X}=D[E(Y|X=x)]/DY$ კორელაციური ფარდობის საშუალებით, სადაც D აღნიშნავს დისპერსიას. დამოუკიდებლობისას რეგრესია მუდმივია და $\eta_{Y|X}=0$, ხოლო $\eta_{Y|X}=1$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა Y არის X-ის ფუნქცია. წრფივი რეგრესიის შემთხვევაში, მაგ., მაშინ, როცა X-ისა და Y-ის ერთობლივი განაწილება ნორმალურია, $\eta_{Y|X}$ ემთხვევა $\rho=[E(X-EX)(Y-EY)]/(DXDY)^{1/2}$ კორელაციის კოეფიციენტის კვადრატს. საზოგადოდ $\rho^2\leqslant\eta_{Y|X}$ და განსხვავება არაწრფივ რეგრესიაზე მიუთითებს.

კორელაციური ანალიზი, მათემატიკური სტატისტიკის დარგი, რ-იც სწავლობს შემთხვევით სიდიდეთა შორის სტატისტიკური დამოკიდებულების გამოვლენის მეთოდებს (იხ. *კორელაცია*).

X და Y შემთხვევითი სიდიდეები, რ-თა შესაძლო მნიშვნელობებია შესაბამისად $x_1,\ldots, x_l$ და $y_1,\ldots, y_m$, სტატისტიკურად დამოუკიდებელია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა $(X=x_i)$ და $(Y=y_j)$ ხდომილობათა ერთად მოხდენის p_{ij} ალბათობა $p_i=P(X=x_i)$ და $q_j=P(Y=y_j)$ ალბათობათა ნამრავლის ტოლია. ამიტომ X-სა და Y-ს შორის კორელაციას განსაზღვრავს განსხვავება p_{ij} და p_iq_j რიცხვებს შორის; განსხვავების სტატისტ. შეფასებად (x,y) წყვილზე n დაკვირვებისას შესაბამის ფარდობით სიხშირეთაგან შედგენილ $\frac{n_{ij}}{n}-\frac{n_i}{n}\frac{m_j}{n}$ გადახრას მიიჩნევენ (იხ. *ალბათობა*). ფარდობითი სიხშირე შემთხვევითი სიდიდეა და გადახრა შესაძლოა საკმაოდ დიდი იყოს X-ისა და Y-ის დამოუკიდებლობის დროსაც, რის გამოც გადახრათა სიდიდეზე დამყარებული დასკვნები გარკვეული ალბათობით მცდარია. ასეთია მაგ., ე. წ. χ^2-კრიტერიუმი, რ-ის თანახმად საკმაოდ დიდი n-თვის X და Y შეიძლება დამოკიდებულად ჩაითვალოს შეცდომის α ალბათობით, თუკი $\chi^2=n\sum_{i=1}^{l}\sum_{j=1}^{m}\left(\frac{n_{ij}}{n}-\frac{n_i}{n}\frac{m_j}{n}\right)^2\Big/\frac{n_i}{n}\frac{m_j}{n}$ რიცხვი აღემატება $(l-1)(m-1)$ თავისუფლების ხარისხიანი χ^2-განაწილების α დონის კრიზისულ წერტილს (იხ. *მათემატიკური სტატისტიკა, ჰიპოთეზათა სტატისტიკური შემოწმება*). $u(x)=E(Y|X=x)$ რეგრესია, $\eta_{X|Y}$ კორელაციური ფარდობა და ρ კორელაციის კოეფიციენტი მრავალი დაკვირვებისას საკმაო სიმდიდრეთა და სიზუსტით ფასდება შესაბამისი ემპირიული მახასიათებლებით:

$$\hat{u}(x_i)=\frac{1}{n_i}\sum_{j=1}^{m}n_{ij}y_j,\quad (i=1,\ldots,l)$$

ემპირიული რეგრესიით,

$$\hat{\eta}_{Y|X}=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{l}n_i[\hat{u}(x_i)-\bar{y}]^2\Big/\frac{1}{n}\sum_{j=1}^{m}m_j(y_j-\bar{y})^2$$

ემპირიული კორელაციური ფარდობით და $\hat{\rho}=$

კ ო რ ე ჯ ო. „განიმედეს მოტაცება“. დაახლ. 1530. სამხატვრო-ისტორიული მუზეუმი. ვენა.

კ ო რ ე ჯ ო. „მადონა წმ. იერონიმესთან ერთად“ („ლეე“). 1527—28. ეროვნული გალერეა, პარმა ფრაგმენტი.

$$=\frac{\sum_{i=1}^{l}\sum_{j=1}^{m} n_{ij}(x_i-\bar{x})(y-\bar{y})}{\left[\sum_{i=1}^{l} n_i(x_i-\bar{x})^2 \sum_{i=1}^{m} m_j(y_j-\bar{y})^2\right]^{\frac{1}{2}}}$$

ემპირიული კორელაციის კოეფიციენტით, სადაც $\bar{x}=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{l} n_i x_i$, $\bar{y}=\frac{1}{n}\sum_{i=1}^{m} m_j y_j$.

იგულისმხმება, რომ X და Y შემთხვევითი სიდიდეების შე'ძლო მნიშვნელობათა სიმრავლეები ნებისმიერი ბუნებისაა და $x_1,\ldots, x_l$, $y_1,\ldots, y_m$ შესაბამისად X და Y სიდიდეთა განსხვავებულ დაკვირვებულ მნიშვნელობებს აღნიშნავს, ხოლო n_{ij}, n_i და m_j შესაბამისად (x_i, y_j) წყვილის, x_i-ის და y_j-ის სიხშირეებია n დაკვირვებისას. კორელაციის $\hat{\eta}_{Y|X}$ და $\hat{\rho}$ ემპირიულ მახასიათებლებს იგივე საზღვრები და ურთიერთგანლაგება აქვთ, რაც $\eta_{Y|X}$-სა და ρ-ს. ისევე როგორც $\eta_{Y|X}$-ისა და ρ-ს შემთხვევაში, $\hat{\eta}_{Y|X}$ ისა და $\hat{\rho}$-ს მკვეთრი განსხვავება სამ. არაწრფივ კავშირზე მეტყველებს. ზუსტი დასკვნები კორელაციის ემპირიულ მახასიათებელთა განაწილების ცოდნას ემყარება. მაგ., თუ დავუშვებთ, რომ X და Y შემთხვევითი სიდიდეების ერთობლივი განაწილება ნორმალურია, მაშინ $\rho=0$ მნიშვნელობისათვის ცნობილია $\hat{\rho}$-ს განაწილება, რაც საშუალებას იძლევა, რომ $\rho=0$ ჰიპოთეზა უკუგდებულ იქნას შეცდომის α ალბათობით, თუ $(\hat{\rho})^2 > [1+(n-2)/t_\alpha^2]^{-1}$, სადაც t_α არის $(n-2)$ თავისუფლების ხარისხიანი სტიუდენტის t-განაწილების α დონის კრიზ. წერტილი.

თვისებრივ ნიშანთა კორელაციის კვლევისას ზემოხსენებული χ^2 კრიტერიუმის გარდა გამოიყენება ე. წ. რ ა ნ გ ო ბ რ ი ვ ი კორელაციის მეთოდებიც.

კორელი (Corelli) არქანჯელო (17. II. 1653, ფუზინიანო, — 8. I. 1713, რომი), იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი, დირიჟორი და პედაგოგი. იტალ. სავიოლინო სკოლის ფუძემდებელი. შექმნა სონატები ვიოლინოსათვის ბასთან ერთად (გამოც. 1700). საანსამბლო-საორკესტრო *კონზერტო გროსოები* (გამოც. 1714). მისმა კონჩერტო გროსოებმა დიდი როლი ითამაშეს კლასიკური საორკესტრო მუსიკის ჩამოყალიბებაში. თავის ნაწარმოებებში კ. ხშირად იყენებდა ხალხ. საცეკვაო და სასიმღერო ფორმებს.

ლიტ: К у з н е ц о в К., Я м п о л ь с к и й И., А. Корелли, М., 1953.

კორელომეტრი [კორელ (აცია) და... მეტრი], к о р е л ъ о г р а ф и, к о р е л я т о р и, შემთხვევითი პროცესების კორელაციური ფუნქციის საზომი ხელსაწყო; იყენებენ რადიოკავშირგაბმულობის აპარატურაში (რხევათა გარდამავალი მილევის გასაზომად მრავალარხიან სისტემებში), რადიოლოკაციაში, ჰიდროაკუსტიკასა და რადიოსტრონომიაში (კორელაციური პელენგაციისა და გადაცემის მკაფიოობის უნარის გასადიდებლად), სამედ. ელექტრონულ სადიაგნოზო მოწყობილობებში.

კ-ის ინდიკატორად იყენებენ ისრიან ხელსაწყოს (რ-ზეც აღნიშნულია კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობანი) ან ელექტრონულ-სხივურ მილაკს, როცა კ-ის შესასვლელებს ორი შემთხვევითი სიგნალი (ცვლადი ძაბვები) $U_1(t)$ და $U_2(t)$ გადაეცემა, ხელსაწყოს გამოსასვლელზე წარმოიქმნება ძაბვა, რ-იც ამ სიგნალების ურთიერთკორელაციის ფუნქციის პროპორციულია. თუ ორივე შესასვლელს სიგნალი $U_k(t)$ გადაეცა, კ. გაზომავს ავტოკორელაციის კოეფიციენტს, რ-ის დადგენა საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ შემთხვევითი ფიზ. მოვლენები (მაგ., ხმაური რადიომიმღებ მოწყობილობებში, კოსმ. ნაწილაკების ნაკადი, ბიოპოტენციალი და სხვ.).

კორესპონდენტი (გერმ. Korrespondent<გვიანდ. ლათ. Correspondeo—ვუპასუხებ, ვაუწყებ), 1. პროფესიული ჟურნალისტი, რ-იც რედაქციის აპარატში საშტატო თანამდებობაზეა (საკუთარი კ.; კ. ორგანიზატორი) ასრულებს რედაქციის საგანგებო დავალებას (სპეც. კ.), ან დახელოვნებულია ფოტო-ჟურნალისტიკის სფეროში; 2. რედაქციის შტატგარეშე თანამშრომელი, რ-იც აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში (მუშა კ., სოფლის კ., ნორჩი კ., სამხედრო კ. და სხვ.); 3. გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის რედაქცია, რ-იც ცნობებით გამოდის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის სხვა ორგანოებში (კოლექტ. კ.).

კორესპონდენტული კომიტეტები აშშ-ში (ინგლ. Committees of Correspondence), ჩრდ. ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ომის (1775—83) მზადების პერიოდში შექმნილი ორგანიზაციები, ადგილობრივი (ჩრდ. ამერიკაში ინგლ. 13 კოლონია) რევ. ხელისუფლების პირველი უჯრედები. ხელმძღვანელობდნენ მილიციის ჩამოყალიბებას ახორციელებდნენ კავშირს კოლონიებს შორის. ომის მსვლელობის დროს მათი უმრავლესობა უმაღლესების კომიტეტებად გარდაიქმნა.

„კორესპონდენტული საზოგადოებანი“ (ინგლ. Corresponding Societies), საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენით XVIII ს. 90-იან წლებში დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბებული დემოკრატიული ორგანიზაციები. 1792 იანვ. „კ. ს.“ დაარსდა ლონდონში და შემდეგ სხვა ქალაქებსა და სოფლებში. „კ. ს.“ აერთიანებდნენ მანუფაქტურათა მუშების, ხელოსნების, წვრილი ბურჟუაზიის პოლიტ. ყველაზე უფრო გათვითცნობიერებულ ნაწილს. მოითხოვდნენ საარჩევნო ხმის უფლებას ყველა მამაკაცისათვის. 1794 გაზაფხულზე ლონდონის საზ-ბის აღმასრ. კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, რამდენიმე ჩამოახრჩეს. პარლამენტის მიერ გამოცემული კანონით, ყველა სახის ოპოზიციური საქმიანობა ითვლებოდა დანაშაულად. 1796—98 ლონდონის „კ. ს-ის“ ხელმძღვანელობა რევ. ტაქტიკის მომხრეთა ხელში გადავიდა. შეიქმნა საიდუმლო კავშირი „გაერთიანებული ინგლისელები“, რ-ის მიზანი იყო რესპუბლიკის დაარსება. XVIII ს. 90-იანი წწ. დამლევს „კ. ს-მა“ შეწყვიტა არსებობა.

კორესპონდენცია (გვიანდ. ლაო. correspondentia < correspondeo — ვუპასუხებ, ვაუწყებ), პუბლიცისტიკის ჟანრი, რ-იც ასახავს კონკრეტულ მოვლენას („ცხოვრების ნაკუწს“), განსაზღვრულს დროითა და ადგილით. კ. ძირითადად არის საინფორმაციო და ანალიზური. კ. საბჭ. საზ.-პოლიტ. პრესის ერთ-ერთი გავრცელებული ჟანრია.

კორეული ენა, განკერძოებით მდგომი ენა. გავრცელებულია კორეის ნ. კ-ზე, ჩინ. სრ-ში, იაპონიაში, სსრკ-სა და აშშ-ში. ლაპარაკობს დაახლ. 46 მლნ. კაცი (1971, შეფასება). კ. ე-ის ბგერითი სისტემა გამოირჩევა ხმოვანთა სიუხვით. თანხმოვნებისათვის ნიშანდობლივია სამეულებრივი სისტემა. დამახასიათებელია ფონემატური მნიშვნელობის ტონები. მოძრავი მახვილი ზოგ დიალექტში დინამიკურია, ზოგში — მუსიკალური. კ. ე. აგლუტინაციურია, ფუზიურობის ელემენტებითურთ. თავს იჩენს ანალიზურობისაკენ ძლიერი ტენდენცია. არსებით სახელს აქვს ბრუნების კატეგორია. გრამატ. სქესი არ არის გარჩეული. ზმნა მდიდარია სიტყვაწარმოებათა ფორმებით. დამოკიდებული სიტყვა წინ უსწრებს მთავარს. კ. ე-ში გარჩეულია 6 დიალექტი: ჩრდ.-აღმ , ჩრდ.-დას., ცენტრ., სამხრ.-აღმ., სამხრ.-დას., კ. ჩეჯუდოსის ლექსიკაში მრავლადაა ჩინურიდან შესული ძირები. დასტურდება ნასესხობა იაპონურიდან და ევროპ. ენებიდან. ოანამედროვე სალიტ. ენას საფუძვლად უდევს ცენტრ. დიალექტის სეულის თქმა. ჯორ. სდრ-ში ნორმად ითვლება ფხენიანის თქმა. დამწერლობა ჩინურიდან მომდინარეობს. იეროგლიფების გამარტივება ძველთავანვე დაუწყიათ. თანამედროვე დამწერლობა, რ-საც კუნმუნი ეწოდება, ანბანურ-სილაბურია, ნაწერის მიმართულებაა ზემოდან ქვემოთ და ბარჯვნიდან მარცხნივ. ბოლო ხანებში ფეხს იკიდებს ჰორიზონტალური, მარცხნიდან მარჯვნივ მიმართული სტრიქონები. კ. ე-ის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი.

ლიტ.: Р а м с т е д т Г., Грамматика корейского языка, пер. с англ., М., 1951.

კორექტული და არაკორექტული ამოცანები, კლასი იმ მათემატიკური ამოცანებისა, რ-თაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ამონახსნების განსაზღვრულობის ხარისხი აქვთ. მრავალი მათ. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამოსავალი u მონაცემებით მოიძებნოს z ამონახსნი. ამასთან ფულიან. რომ u და z ერთმანეთთან დაკავშირებულია $z=R(u)$ ფუნქციური დამოკიდებულებით. ამოცანას ეწოდება კ ო რ ე ქ ტ უ ლ ი (ან კორექტულად დასმული), თუ შესრულებულია შემდეგი პირობები (კორექტულობის პირობები): 1. ამოცანას აქვს ამონახსნი ყოველი დასაშვები ამოსავალი მონაცემებისათვის (ამონახსნის არსებობა); 2. ყოველ ამოსავალ მონაცემს შეესაბამება მხოლოდ ერთი ამონახსნი (ამოცანის ცალსახობა); 3. ამონახსნი მდგრადია.

პირველი პირობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამოსავალი მონაცემებს შორის არ არის ერთმანეთის საწინააღმდეგო პირობები, რაც გამორიცხავდა ამოცანის ამოხსნას.

მეორე პირობა კი იმაზე მიუთითებს, რომ ამოსავალი მონაცემები საკმარისია ამოცანის ამოხსნის ცალსახა განსაზღვრულობისათვის; ხოლო მესამე პირობის არსი ასეთია: თუ u_1 და u_2 ორი ერთობლიობაა ამოსავალი მონაცემებისა, რ-თა ერთმანეთისაგან გადახრის ზომა საკმაოდ მცირეა. მაშინ $z_1=R(u_1)$ და $z_2=R(u_2)$ ამონახსნების გადახრის ზომა ნაკლებია ნებისმიერ წინასწარ დასახელებულ ზომის სიზუსტეზე. თუ ამოცანა არ აკმაყოფილებს ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს მაინც, მას ეწოდება ა რ ა კ ო რ ე ქ ტ უ ლ ი (ან არაკორექტულად დასმული).

თხზ: Л а в р е н т ь е в М. М., О некоторых некорректных задачах математической физики, Новосиб., 1962; Т и х о н о в А. Н., Об устойчивости обратных задач, «Доклады АН СССР», 1943, т. 39, № 5; м е ж е в, О решении некорректно поставленных задач и методе регуляризации, იქვე, 1963, т. 151, № 3.

კორექტურა (ლათ. correctura — გასწორება, გაუმჯობესება), 1. ანაწყობში დაშვებული შეცდომებისა და ტექნიკური წესების დარღვევის გასასწორებელ პროცესთა ერთობლიობა; მოიცავს ორ ძირითად პროცესს: საკორექტურო *ანაბეჭდების* კითხვასა და ანაწყობის სწორებას. კ. სამგვარია: სასტამბო. საგამომცემლო და საავტორო. ანაწყობის ანაბეჭდებს კითხულობენ კორექტორები (ადარებენ მაო ორიგინალს ან წინა საკორექტურო ანაბეჭდს), აგრეთვე ავტორები და რედაქტორები. რ-ებიც არსებითად აწყობილი ტექსტის სისწორეს ამოწმებენ. კ-ის კითხვისას შემჩნეულ შეცდომებს აღნიშნავენ სპეც. კორექტურული ნიშნებით და გააქვთ ანაბეჭდის არეზე. კორექტორების, ავტორებისა და რედაქტორების მიერ გასწორებული საკორექტურო ანაბეჭდების ეგზემპლარი გადაეცემა საამწყობო საამქროს, სადაც ამ ეგზემპლა-

რის საფუძველზე სწორდება დაშვებული შეცდომები.

2. ანაწყობის ანაბეჭდი კორექტურული ნიშნების მეშვეობით მასში სწორების შესატანად.

კორეჯო (Correggio; ნამდვ. სახელი და გვარი ანტონიო ა ლ ე გ რ ი, Allegri), (დაახლ. 1489, კორეჯო, ემილია, — დაახლ. 15. III. 1534, იქვე), მაღალი აღორძინების პერიოდის იტალიელი ფერმწერი. მუშაობდა პარმასა და კორეჯოში. კ-ს მონუმენტური ფერწერისთვის ნიშანდობლივია დეკორ. დახვეწილობა (პარმის სან-პაოლოს მონასტრის მოხატულობა, 1517—20 წწ. შორის) და ამასთანავე დინამ. ექსპრესიულობა [პარმის სან-ჯოვანი ევანჯელისტას ეკლესიის (1520—23) და მონასტრის მოხატულობა (1526—30)]. კ-ს დაზგური ნაწარმოებები გამოირჩევა სახეების ინტიმურობით, ფიგურათა გრაციოზული პოზების ეფექტურობით, კომპოზიციის ასიმეტრიული დინამიზმით და ნათელი საზეიმო კოლორიტით („მადონა წმ. ფრანციისკთან ერთად", 1514—15; „მადონა წმ. გიორგისთან ერთად", 1530—32. ორივე დრეზდენის სურათების გალერეა). კ-ს მითოლ. თემებზე შესრულებული ნამუშევრები ხასიათდება ჰედონიზმითა და ეროტიკულობით („დანაია", დაახლ. 1526, ბორგეზეს გალერეა. რომი; „განიმედის მოტაცება", დაახლ. 1530, ვენის სამხატვრო-ისტ. მუზეუმი).

კორვალანი (Corvalan) ლუის (დ. 14. IX. 1916, პუერტო-მონტი, ლიანკიუეს პროვ.), ჩილეს მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. პროფესიით მასწავლებელი. ჩილეს კომპარტიის წევრი 1932-იდან. 1936—40 ქ. კონსეპსიონის პარტ. ორგანიზაციის მდივანი საორგანიზაციო საკითხებში. იმავე დროს იყო მუნიციპალური საბჭოს წევრი. 1940 გაზეთი „სიგლოს" („El Siglo"—კომპარტიის ცენტრ. ორგანო) დირექტორის მოადგილე, ხოლო 1946 — დირექტორი. 1948—56 ხელმძღვანელობდა ჩილეს კომპარტიის ცკ-ის პროპაგანდის განყ-ბას. 1952-იდან ცკ-ის, ხოლო 1956-იდან ცკ-ის პოლიტ. კომისიის წევრი. 1956—58 ცკ-ის მდივანი პროპაგანდის საკითხებში. 1958 მარტიდან ჩილეს კომპარტიის გენ. მდივანი. 1971-იდან ჩილეს ეროვნ. კონგრესის სენატორი. 1973 სექტ. რეაქციული სამხ. გადატრიალების შემდეგ დააპატიმრეს. სარკ-ის, სოციალ. ქვეყნებისა და მსოფლიოს პროგრ. საზ-ბის დაჟინებული მოთხოვნით 1977 პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

კორვეტი (ფრანგ. corvette). აფრიან სამხედრო ფლოტში 400—600 ტ წყალწყვის მსუბუქი სამანძიანი გემი XVIII—XIX სს-ში. იყენებდნენ დაზვერვისა და დამხმარე სამუშაოების შესრულების დროს; XIX ს. მე-2 ნახევარში 800—3500 ტ წყალწყვის გემი, რ-იც აღჭურვილი იყო აფრებითა და ორთქლის მანქანით. ზედა გემბანზე თავსდებოდა 12-იდან 32-მდე ქვემეხი. II მსოფლიო ომში ბრიტ. და ამერ. სამხ. ფლოტში (900—1500 ტ წყალწყვის) საგუშაგო გემები ორთქლის დგუშიანი ძრავათი. შეიარაღებული იყო ერთი ქვემეხით (102 *მმ* კალიბრი), საზენიტო ავტომ. ზარბაზნით (20—40 *მმ* კალიბრი) და სიღრმის ბომბებით.

კორვიზარი (Corvisart) ჟან ნიკოლა (15. II. 1755, დრიკური,—18. IX. 1821, პარიზი), ფრანგი თერაპევტი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1811-იდან). 1782 დაამთავრა პარიზის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1797 კოლეჟ დე ფრანსში დააარსა შინაგან სნეულებათა პირველი კათედრა, რ-საც თვითონ განაგებდა. ნაპოლეონ I-ის ლაიბ-მედიკოსი (1807-იდან). რესტავრაციის დროს ხელმძღვანელობდა საფრ. სამედ. დეპარტამენტს. პრაქტ. მედიცინაში შემოიღო 1761 ლ. აუენბრუგერის მიერ აღმოჩენილი ახ. დიაგნოსტიკური მეთოდი — *პერკუსია*. კ-ის ძირითადი შრომები გულსა და მსხვილ სისხლძარღვებს ეძღვნება. იგი სემიოტიკის ერთ-ერთი შემქმნელია.

თხზ.: Essai sur les maladies et les lésions organiques du cœur et des gros vaisseaux, P., 1806.

კორზუხინი ალექსი ივანეს ძე [11 (23). III. 1835, უჭტუსკი-ზავოდი, ახლანდ. სვერდლოვსკი. — 18 (30). X. 1894, პეტერბურგი], რუსი ფერმწერი, ჟანრისტი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1858—63). 1863 მიატოვა აკადემია და მხატვართა არტელის (რუს. დემოკრატიულად განწყობილ მხატვართა გაერთიანება) წევრი გახდა. 1868-იდან პეტერბ. სამხატვრო აკად. აკადემიკოსი. მოძრავი სამხატვრო გამოფენების ამხანაგობის („პერედვიჟნიკების") წევრი-დამაარსებელი (გამოფენებში არ მონაწილეობდა). კ-ის ჟანრული სცენები გამოირჩევა უშუალობით და მამხილებელი სოც. პათოსით: „სოფლის ბაზრობიდან დაბრუნება" (1868), „აღსარების წინ" (1877) — ორივე ტრეტიაკოვის გალერეა; მ. პესკოვის პორტრეტი (1863). „ფრინველების მტრები" (1887) —ორივე რუს. მუზეუმი. ლენინგრადი.

კორი (Cori) კარლ ფერდინანდ (დ. 5. XII. 1896, პრაღა), ამერიკელი ბიოქიმიკოსი (ეროვნებით ჩეხი), აშშ-ის ეროვნ. აკად. და ლონდონის სამეფო საზ-ბის წევრი. უმთავრესი შრომები ცხოველებში ნახშირწყლების ცვლას ეხება. აღმოაჩინა და გამოყო გლუკოზა-1-ფოსფატი, „კორის ეთერი". აღმოაჩინა და შეისწავლა ფერმენტი ფოსფოგლუკომუტაზა, რ-იც კატალიზატორის როლს ასრულებს გლუკოზა-1-ფოსფატის გლუკოზა-6-ფოსფატად უკუქცევადი გარდაქმნის პროცესში. ეს ფერმენტი კ-მ შემდგომში კრისტ. სახითაც მიიღო. მანვე გამოყო a და b ფოსფორილაზები, კუნთებიდან მიიღო გლიცერალდეჰიდფოსფატის დეჰიდროგენაზა და ალდოლაზა, საფუვრებიდან სუფთა სახით გამოყო ჰექსოკინაზა; რამდენიმე ნაშრომი ეხება ჰორმონების გავლენას ფერმენტულ პროცესებზე; ინსულინს მოაცილა და კუჭის ლორწოვანი გარსიდან გამოყო გლუკაგონი. 1947 გ. კორისთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია.

კორიაკები, რსფსრ კამჩატკის ოლქის კორიაკთა ავტონომური ოკრუგის ძირითადი მოსახლეობა. ცხოვრობენ აგრეთვე ჩუკოტკის ავტ. ოკრუგებსა და მაგადანის ოლქის ჩრდ.-ევენთა რ-ნში. რაოდ. 7,5 ათ. კაცი (1970, აღწერა). ლაპარაკობენ კორიაკულ ენაზე. რუს. წყაროებში პირველად 1630—40 არიან მოხსენებული. იყოფოდნენ 2 ჯგუფად — მომთაბარე-მეირმეები (საკ. სახელწ. ჩ ა ვ ჩ ი ვ ი) და ზღვისპირა ბინადარ-მცხოვრებნი (საკ. სახელწ. ნ ი მ ი ლ ი ნ ი), რ-ებიც ზღვის ცხოველებზე ნადირობასა და თევზჭერას მისდევდნენ. რელიგია — შამანიზმი. საბჭ. ხელისუფლების წლებში მათ ცხოვრებაში დიდი სოც. და ეკონ. გარდაქმნები მოხდა. ზღვისპირა კ-ის მეურნ. წამყვანი დარგი გახდა ზღვის სარეწი თევზჭერა. ნაწილი მეირმეობის ფერმებში მუშაობს.

კორიაკთა ავტონომიური ოკრუგი, შედის რსფსრ კამჩატკის ოლქის შემადგენლობაში. შეიქმნა 1930 წ. 10 დეკ. ფართ. 301,5 ათ. *კმ*², მოსახლ. 35 ათ. კაცი (1980), მ. შ. 39% ქალაქში ცხოვრობს. ოკრუგში შედის 4 რ-ნი, 5 დაბა და 29 სოფსაბჭო. ცენტრი — დაბა პალანა. კ. ა. ო-ს უჭირავს კამჩატკის ნ.-კ-ის ჩრდ. ნახევარი, მიმდებარე კონტინენტის ნაწილი და კარაგის კუნძული. ოკრუგს აკრავს ოხოტისა და ბერინგის ზღვები. რელიეფი ძირითადად მთიანია. ოკრუგის ტერიტორიაზეა შუა ქედის, კორიაკთა და კოლიმის მთიანეთების ნაწილები. არის ძლიერ დაჭაობებული ვაკეები და მრავალი ტბა. დიდი ყურეებია: ოლიუტორკის, კორფის, კარაგინისა და პენჟინის. ჰავა სუბარქტიკულია, მკაცრი. იცის ციცი და ხანგრძლივი ზამთარი. იანვ. საშ. ტემპ-რა —24, —26°C. ზაფხული ხანმოკლეა და გრილი. ივლ. საშ. ტემპ-რა 10—14°C. ნალექები 300-იდან 700 *მმ*-მდე წელიწადში. ოკრუგის ტერიტორიაზე გავრცელებულია მარადი მზრალობა. მთავარი მდინარეა პენჟინა. ნიადაგი ტუნდრისა და ტორფოვან-ჭაობიანია. ტუნდრა გამოყენებულია ირმის საძოვრებად. სარეწაო ცხოველებია: სიასამური, მელა, ყარსაღი, ყარყუმი, გვხვდება აგრეთვე კურდღელი, ველური ჩრდ. ირემი და სხვ. ბევრია ფრინველი, სანაპირო წყლები მდიდარია თევზით და ზღვის ცხოველებით. მოსახლ. ეროვნ. შემადგენლობაში ჭარბობენ რუსები. მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ კორიაკები (68%), ჩუქჩები (13%), იტელმენები (11%), ევენები (7%). საშ. სიმჭიდროვე 0,1 კაცი 1 *კმ*²-ზე.

ოკრუგის ეკონომიკაში წამყვანია თევზის მრეწველობა. ამუშავებენ კორფის მურა ნახშირის საბადოს. განვითარებულია მეირმეობა, ნადირობა ბეწვიან და ზღვის ცხოველებზე. ზღვის ბიოლ. რესურსების ასათვისებლად შექმნილია 4 სარეწაო მეურნეობა. აგრეთვე ვითარდება სარძეო მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა. ტრანსპ. ძირითადი სახეობაა საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი. ნაოსნობა მდ. პენჟინაზე.

1978/79 სასწ. წ. ოკრუგში იყო 42 ზოგადსაგანმან. სკოლა, 46 სკოლამდელი დაწესებულება; მუშაობდა (1979 წ. 1 იანვ.) 42 მასობრივი ბ-კა, 56 საკლუბო დაწესებულება, 53 კინოდანადგარი, პიონერთა სახლი. 6 მუს. სკოლა. გამოდის საოლქო გაზეთი „კორიაკსკი კომუნისტი" (1937-იდან). საოლქო რადიომაუწყებლობა არის რუსულ და კორიაკულ ენებზე, გადაცემების რეტრანსლაცია ხდება მოსკოვიდან და პეტროპავლოვსკ-კამჩატსკიდან. ოკრუგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1971) და ხალხთა მეგობრობის ორდენით (1972).

კორიაკთა მთიანეთი, კ ო რ ი ა კ თ ა ქ ე დ ი. მთიანეთი რსფსრ კამჩატკისა და მაგადანის ოლქებში, ბერინგის ზღვის სანაპიროზე, ანადირის ყურესა და კამჩატკის ნ.-კ-ს შორის. სიგრძე 880 *კმ*, სიგანე 270 *კმ*-მდე, მაქს. სიმაღლე 2562 *მ* (მთა ლედიანაია). კ. მ-ის პალეოზოური საფუძველი დაფარულია პალეოგენური და ნეოგენური ეულკანოგენური ქანებით და მოლასებით. ზოგან ანთროპოგენური ასაკის ეფუზიები და პალეოზოური, ცარცული და კაინოზოური ინტრუზიები გვხვდება. წიაღისეულიდან აქ არის ოქრო, ვერცხლი, კალა, სპილენძი, მოლიბდენი და სხვ. კ. მ-ის ცენტრ. ნაწილიდან ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-დას. მიმართულებით გადაჭიმულია ერთმანეთისაგან ღრმა ქვაბულებით გამოყოფილი ქედები. რელიეფში ჭარბობს წვეტიანი თხემები, ციცაბო კალთები, ღრმა ხეობები და ტროგები. ჰავა ოკეანისპირა ციცია, ზაფხული გრილი, ნისლიანი. ზამთარში იცის ძლიერი ქარი. ნალექები 400—700 *მმ* წელიწადში. არის თანამედროვე გამყინვარება (საერთო ფართ. 205 *კმ*²). განვითარებულია მთის ციცი უდაბნო და ტუნდრა. ჩრდ-ით 200 *მ* სიმაღლემდე და სამხრ-ით 400 *მ* სიმაღლემდე გავრცელებულია ქონდარა ფიჭვი, ხეობებში აქაიქ ტყეებია.

კორიაკული ენა, ნ ი მ ი ლ ა ნ უ რ ი ე ნ ა, განეკუთვნება პალეოაზიურ ენათა ჩუკოტკურ-კამჩატკური ენების ჯგუფს. გავრცელებულია რსფსრ კამჩატკის ოლქის კორიაკთა ავტონომიურ ოკრუგში. ლაპარაკობს 6,1 ათ. კაცი (1970, აღწერა). ფონეტ. პროცესთაგან ნიშანდობლივია ხმოვანთა სინჰარმონიზმი და თანხმოვანთა ასიმილაცია. ტიპოლოგიურად აგლუტინაციური ენაა. სიტყვაწარმოება და სიტყვაცვალება პრეფიქსებისა და სუფიქსების მეშვეობით ხდება. არსებით სახელს აქვს ბრუნების, რიცხვის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობისა და კლასის კატეგორიები, ხოლო ზმნას—პირის, რიცხვის,

ლ. კორვალანი.

კორიაკთა ავტონომიური ოკრუგი. პალანის მეირმეობის საბჭოთა მეურნეობის საძოვარზე

კორიაკთა ავტონომიური ოკრუგი. დაბა პალანა.

კორინთული ორდერი. ზევსის ტაძრის ნანგრევები. ათენი. დაიწყო ძვ. წ. 175—164, დამთავრდა ახ. წ. 129—132.

ჯ. კორინი.

დროის, კილოს და გარდამავლობა-გარეგაუვლობისა. გარდამავალი ზმნა ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის. წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია. ლექსიკაში ჭარბადაა რუს. ენიდან ნასესხები სიტყვები. 1931-იდან დამწერლობა ლათ. ანბანს ეფუძნებოდა, 1936-იდან რუს. გრაფიკას იყენებენ.

ლიტ.: Жукова А. Н., Корякский язык, წგნ.: Языки народов СССР, т. 5, Л., 1968.

კორიდა (ესპ. corrida — სირბილი, სწრაფი მოძრაობა; corrida de toros, სიტყვასიტყვით — ხარების სრბოლა), ესპანური ეროვნული სანახაობა. წარმოშობით დაკავშირებულია ხარის უძველეს კულტთან პირენეს ნ.-კ-ზე. ხარებთან ბრძოლა ესპანეთში XI ს-ში გავრცელდა. შუა საუკუნეებში ამ სანახაობაში მონაწილეობდნენ წარჩინებული სენიორები, შუბით შეიარაღებული ცხენოსნები. XVIII ს. დასაწყისში საცირკო სანახაობად (პროფესიონალ შემსრულებლების—ტორეროების მონაწილეობით) იქცა. კ-ის მონაწილეთა ჯგუფის (12—14 კაცი) მთავარი ფიგურაა მატადორი (ესპადა), რ-იც ხარს ქედის არეში მახვილის მოხერხებული ჩაცემით კლავს. მას ეხმარებიან სხვა ტორეროები — ნაწილი ხარს მკევთრი (წითელი) ფერის წამოსასხამით, ნაწილი კი (ცხენოსანი პიკადორები) შუბით აღიზიანებს, დანარჩენები ცხოველს კისერში ჭვილთებს ურჭობენ. ესპანეთის გარდა კ. იმართება პორტუგალიაში. სამხრ. საფრანგეთში, აგრეთვე ლათ. ამერ. ქვეყნებში (XVI ს-ში ევროპელთა კოლონიზაციის შემდეგ). საქართველოში ცნობილი იყო *ყურულის* სახელწოდებით.

ლიტ.: Садомская Н. Н., У порога корриды, «Советская этнография», 1969, № 6.

კორიენტესი (Corrientes), ქალაქი ჩრდ.-აღმ. არგენტინაში. კორიენტესის პროვ. ადმ. ცენტრი. 131,4 ათ. მცხ. (გარეუბნებიანად, 1970). ნავსადგური მდ. პარანაზე. სარკინიგზო კვანძი. კვების მრეწვ. საწარმოები. ვაჭრობა საქონლით, თამბაქოთი, ციტრუსებით. კ. დაარსდა XVI ს. ბოლოს.

კორიიამა, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს აღმ. ნაწილში, ფუკუსიმის პრეფექტურაში. 265 ათ. მცხ. (1975). სატრანსპ. კვანძი. საფეიქრო (ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება), ელექტრომანქანათსაშ., ალუმინის, კვების მრეწველობა.

კორინთა, სოფელი სამხრ. ოსეთის აო ლენინგორის რ-ნში, მდ. ქსნის მარცხ. მხარეს. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., გეზევრეთი, გუდაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევი, წირქოლი, ხარკელანი). ზ. დ. 1000 *მ*, ლენინგორიდან 7 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 39 *კმ*. ლენინგორის მეცხოველეობის საბჭ. მეურნეობა. კირის საამქრო. რვაწლ. სკოლა (ინტერნატით), კლუბი (კინოდანადგარი), ბ-კა, მედპუნქტი, კავშირგაბმ. განყ-ბა.

კ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში, თუმცა „მატიანე ქართლისაჲ-ში" (XI ს.) X ს. მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით ნახსენებია ვინმე აზნაური დაჩი კორინთელი. სოფელში შემორჩენილია შუა საუკ. დარბაზული ეკლესია.

კორინთი (Korinthos), ძვ. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) პელოპონესის ნ.-კ-ზე, კორინთის სრუტის სანაპიროზე, ახლანდ. ქ. კორინთის სამხრ.-დასით (6 *კმ*-ზე). დააარსეს დორიელებმა ძვ. წ. X ს-ში. ძვ. ბერძნ. მითოლოგიის მიხედვით, კ-ში ცხოვრობდნენ მედეა, სისიფე და ბელეროფონტე. ძვ. წ. VIII—VII სს-ში კ-მა დააარსა კოლონიები, მ. შ. სირაკუსა, კერკირა, პოტიდეა ოა სხვ. კ. ძვ. საბერძნ. მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი იყო, ორ ზღვას შორის მდებარეობდა და ორი ნავსადგური ჰქონდა: დას-ით — ლექეონი, აღმ-ით — კენქრე. აღმავლობის დროს კ-ის მოსახლეობის რაოდენობა 300 ათას აღწევდა. აკროპოლისი — აკროკორინთი (575 *მ* ზ. დ.) გაბატონებული იყო ცენტრ. საბერძნეთიდან მიმავალ სამხრეთის გზებზე. ძვ. წ. VIII ს-ში კ-ში ოლიგარქიული წყობილება დამყარდა. კ. მონაწილეობდა ბერძენ-სპარსელთა ომებში. კ-ის მეტოქეობა ათენთან პელოპონესის ომის (ძვ. წ. 431—ძვ. წ.404) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. არგოსთან, თებესთან, ათენთან და სხვ. პოლისებთან კავშირში კ. იბრძოდა გაძლიერებული სპარტის წინააღმდეგ (იხ. *კორინთის ომი* ძვ. წ. 395—ძვ. წ. 387). ძვ. წ. II ს-ში კ. აქტიურად მონაწილეობდა რომის წინააღმდეგ ბერძნ. პოლისების აჯანყებაში, რისთვისაც რომმა დაანგრია იგი (ძვ. წ. 146) და მისი მცხოვრებლები მონებად გაყიდა. ძვ. წ. 46 იულიუს კეისარმა კ-ში გააზატებული მონები დაასახლა. ძვ. წ. 27 კ. რომის პროვინციის აქაიაის პოლიტ. ცენტრი იყო. გუთებმა ორჯერ დაარბიეს და დაანგრიეს (395 და 521); აღადგინა იუსტინიანე I-მა. კ. განთქმული იყო ბრინჯაოს და კერამ. ნაწარმით, დიდებული ნაგებობებით, ავეჯით, არქიტ. დეკორით (კორინთული სვეტი, ფრონტონების ორნამენტი). კ-ის აფროდიტეს ტაძარში ცხოვრობდნენ ჰიეროდულები (1000-მდე) — „სტუმართმოყვარე ასულნი და ცთუნების მსახურნი მდიდარ კორინთში" (პინდარე).

კ-ის არქეოლ. კვლევას 1896-იდან (დროდადრო) აწარმოებს კლასიკური სიძველეების შემსწავლელი ამერ. სკოლა ათენში (American school of classical studies at Athens). გათხრების შედეგად გამოვლინდა აპოლონის ტაძრის (დაახლ. ძვ. წ. 550, დორიული პერიპტერორი), აპოლონის წმიდა ადგილის (რომაული პერისტილი და ძვ. წ. IV ს. ტაძარი), რომაული ხანის თეატრის ნაშთები; ისთმოსზე — პოსეიდონის ტაძრის (ძვ. წ. V ს., აქ იმართებოდა ისთმოსის თამაშობანი), ძვ. წ. IV ს. სტადიონის, რომაული თეატრის და თერმების ნანგრევები; იუსტინიანეს ციხესიმაგრე (VI ს.) და სხვა ანტ. და შუა საუკ. აავდაცვით ნაგებობათა ნაშთები.

ლიტ.: Древняя Греция, под ред. В. В. Струве, М., 1956; Corinth. Results of excavations, v. 1—16, Camb. (Mass.), 1929—66 (American school of classical studies at Athens).

კორინთი (Korinthos), ქალაქი და ნავსადგური საბერძნეთში, კორინთის ყელზე, კორინთის არხთან. კორინთიის ნომის (პელოპონესის ოლქი) ადმ. ცენტრი. 20,8 ათ. მცხ. (1971). სარკინიგზო კვანძი. სავაჭრო ცენტრი. აწარმოებენ და გააქვთ კორინთული სკიჭი (წვრილი ქიშმიში) და ზეითუნის ზეთი. კ. დაარსდა 1818. 1858 და 1928 დაანგრია მიწისძვრამ. კ-ის მახლობლად არის ძვ. *კორინთი*.

კორინთის ომი, ძვ. წ. 395 — ძვ. წ. 387, ომი ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოთა კოალიციასა (თებე, არგოსი, კორინთი, ათენი, მეგარა და სხვ.) და პელოპონესის კავშირს (სპარტის მეთაურობით) შორის. მიმართული იყო სპარტის ჰეგემონიის წინააღმდეგ. დასაწყისში ბერძნ. პოლისების კოალიციას მხარს უჭერდა სპარსეთი, რ-იც ძვ. წ. 399-იდან სპარტას ეომებოდა. სპარს. სახსრებით აგებულმა ფლოტმა ათენელი კონონის სარდლობით ძვ. წ. 394 კ. კნიდოსთან დაამარცხა სპარტელები. იმავე წელს კოალიციამ წარმატებებს მიაღწია კორონეასთან და ისთმოსზე ბრძოლებში. ათენის გაძლიერებით შეშფოთებულმა სპარსეთმა ორიენტაცია შეიცვალა და სპარტის მხარეზე გადავიდა. კ. ო. *ანტალკიდას ზავით* დასრულდა.

კორინთის ყელი, ყელი კორინთისა და სარონიკოსის ყურეებს შორის. აერთებს პელოპონესის ნ.-კ-ს ცენტრ. საბერძნ. რ-ნებთან. სიგრძე 42 *კმ*, სიგანე 6,3-იდან 16 *კმ*-მდე. კ. ყ-ის დიდი ნაწილი უჭირავს ერანიის კირქვიან ჭიუხს. ჭარბობს ნახევარუდაბნოს ლანდშაფტი. კ. ყ-ზე გადის რკინიგზა და საავტ. გზა. კ. ყ. გადაკვეთილია კორინთის არხით.

კორინთის ყურე (Korinthiakos kolpos), ყურე იონიის ზღვაში, საბერძნეთის დას. ნაპირთან. სიგრძე 130 *კმ*, სიგანე შესასვლელთან 3 *კმ*, მაქს. სიგანე დაახლ. 35 *კმ*. სიღრმე 935 *მ*-მდე. ჩრდ. ნაპირი მთაგორიანია. დანაწევრებულია ყურეებითა და უბეებით. ყურე კორინთის არხით დაკავშირებულია ეგეოსის ზღვასთან.

კორინთლები, ქართლის წარჩინებულ ფეოდალთა საგვარეულო IX—X სს-ში. გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობაში მდებარე ადგილის — კორინთის სახელიდან. კ. ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოში ძლიერი ცენტრ. ხელისუფლების დამყარებას. მაგ., X ს. I ნახევარში დაჩი კორინთელმა ქართლისა და კახეთის სხვა ფეოდალებთან ერთად აფხაზთა მეფის *გიორგი II-ის* მიერ დაპყრობილი კახეთის ციხეები კვლავ ხელში ჩააგდებინა კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს და ამით ხელი შეუშალა აფხაზთა მეფეს საქართვ. გაერთიანებისათვის ბრძოლაში. გვიანდ. შუა საუკუნეებში კ. დაემცრნენ და უკვე აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდნენ. კ-ის საფეოდალოს (მდ. ქსანსა და მეჯუდას შორის) ეწოდებოდა საკორინთლო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგნ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955, ნასყიდობის დაწერილი ფავნელისა შიომღვიმისადმი (IX ს.), წგნ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965, § 1 *ნ. შოშიაშვილი.*

კორინთული ორდერი, სამ ძირითად ძვ. ბერძნულ არქიტექტურულ ორდერთაგან ერთ-ერთი. ჩამოყალიბდა ძვ. წ. V ს.II ნახევარში (კორინთული სვეტი გამოიყენა ხუროთმოძღვარმა იქტინემ ბასაში, პელოპონესზე, აპოლონის ტაძრის ცელაში, ძვ. წ. 430). დორიულ და იონიურ ორდერებთან შედარებით კ. ო. უფრო დეკორატიულია, სვეტისთავი მაღალია, შემკულია აკანთის სტილიზებული ფოთლებითა და ხვიებით. კარნიზის დამაგვირგვინებელი ფილის ქვეშ განლაგებული *მოდულიონებითა* და *კონსოლებით შეცვლილია დენტიკულები* ან გამოყენებულია მათთან შეხამებით. კ. ო. ფართოდ გავრცელდა რომის არქიტექტურაში (იხ. აგრეთვე სტ. *არქიტექტურული ორდერი*).

კორინი პავლე დიმიტრის ძე [25. VI (7. VII). 1892, პალეხი, — 22. XI. 1967, მოსკოვი], საბჭ. ფერწერი. სსრკ სახ. მხატვარი (1962). სსრკ სამხატვრო აკად. ნ.-წ. (1958). გლეხი ხატმწერის შვილი. სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1912—16) კ. კოროვინისა და ს. მალიუტინის ხელმძღვანელობით. კ-ის ნამუშევრებს ახასიათებს სახეების შთაგონებულობა, ნახატის მონუმ. სამკაცრე და სიცხადე, ფორმის პლასტიკურობა, ფერის ექსპრესიული სიმდიდრე. დიდი სამამულო ომის პერიოდში და შემდგომ წლებში კ-მა შექმნა რუსი ხალხის უძლეველობის იდეით გამსჭვალული ნამუშევრები: „ალექსანდრე ნეველი", 1942—43, ტრეტიაკოვის გალერეა; საბჭ. მხედართმთავრების პორტრეტების სერია და სხვ. 1950-იან წლებში მ. სარიანის, რ. სიმონოვის (ორივე 1956), კუკრინიქსების (1958), რ. გუტუზოს (1961, — ყველა ტრეტიაკოვის გალერეა) პორტრეტებისთვის მიენიჭა ლენინური პრემია (1963). კ. მუშაობდა მონუმ. ჟანრში (ვიტრაჟები, მოზაიკა).

ლიტ.: [Зотов А.], Павел Корин... [Альбом], М., 1961.

კორინტო (Corinto), ქალაქი და მთავარი საზღვაო ნავსადგური (საგარეო-სავაჭრო ბრუნვის დაახლ. 2/3) ნიკარაგუაში, წყნარი ოკ. ნაპირზე, ჩინანდეგის დეპარტამენტში. 10 ათ. მცხ. (1968). სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. გააქვთ ყავა და შაქარი. შიაქვთ სხვადასხვა მოწყობილობა და სამრეწვ. საქონელი.

კორინფსკი (ნამდვ. გვარი ვ ა რ ე ნ ც ო ვ ი) მიხეილ პეტრეს ძე [1788, არზამასი, ახლანდ. გორკის ოლქი, — 10 (22). VII. 1851, ყაზანი], რუსი არქიტექტორი, გვიანდელი კლასიციზმის წარმომადგენელი. 1810—11 სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში ა. ვორონიხინთან. 1812 არზამასში დააარსა არქიტ. სასწავლებელი. 1837-იდან ასწავლიდა არქიტექტურას ყაზანის უნ-ტში. ნამუშევრები: ამაღლების ტაძარი არზამასში (1814—42), სამების ტაძარი სიმბირსკში (1824—41, არ შემონახულა); უნ-ტის ბ-კა, ანატ. თეატრი და ობსერვატორია ყაზანში, 1830-იანი წლები.

კორიო, ფეოდალური სახელმწიფო კორეაში 918—1392 (აქედან მომდინარეობს კორეის ახლანდ. ეერ. სახელწოდება). დაარსა ვან გონმა. დედაქალაქი კეგიონი (ახლანდ. კესონი). ვან გონის მეჯვიდრეების დროს გადაიქცა ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. ძირითადი გადამხდელი წოდება იყო სახელმწ. გლეხობა (იანინი), რ-საც სამხ. ბეგარაც ეკისრებოდა. ჰ-ში განვითარებული იყო სოფ. მეურნეობა, ხელოსნობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობა. XII ს-იდან კერძო ფეოდ. მიწათმფლობელობის ზრდის გამო ჰ-ს ცენტრალიზებული სახელმწიფო თანდათან დასუსტდა. XIII ს-ში ჰ-ს თავს ესხმოდნენ მონღოლები, მათი განდევნის შემდეგ (1356) ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ (1388) *ლი სონ გეს* მომხრეები. 1392 ლი სონ გე გამეფდა და დაარსა *ლის* დინასტია, რ-ის დროს სახელმწიფოს ეწოდა *ჩოსონი*, ხოლო დედაქალაქი გადაიტანეს სეულში.

კორიოლანუსი გნეუს მარციუს (Gnaeus Marcius Coriolanus), ძვ. რომაული ტრადიციით, პატრიცი და მხედართმთავარი. ძვ. წ. 493 რომაელებმა მისი სარდლობით ჰაილეს ვოლსკების ქალაქი კორიოლი (აქედან ზედწოდება „კორიოლანუს"). პლებეებისადმი მტრული დამოკიდებულებისათვის მას ბრძოლა გამოუცხადეს სახ. ტრიბუნებმა. რომიდან გაიქცა ვოლსკებთან, სათავეში ჩაუდგა მათ ლაშქარს და რომს ალყა შემოარტყა. რომის მესვეურებმა სცადეს მასთან დაზავება, მაგრამ ჰ-მა არ ისურვა. მხოლოდ დედისა და ცოლის თხოვნით მოხსნა რომს ალყა. ვოლსკებმა ეს ღალატად ჩაუთვალეს და მოკლეს. სხვა ვერსიით, ღრმა სიბერემდე იცოცხლა და ბოლომდე ლტოლვილი დარჩა. ლეგენდა ჰ-ის შესახებ სიუჟეტად გამოიყენა უ. შექსპირმა („კორიოლანუსი"), ლ. ვ. ბეეთჰოვენმა ამავე სახელწოდების უვერტიურა შექმნა.

კორიოლისი (Coriolis) გიუსტავ გასპარ (21. V. 1792, პარიზი, — 19. IX. 1843, იქვე), ფრანგი მექანიკოსი, პარიზის მეცნ. აკად. წევრი (1836). 1838-იდან ხელმძღვანელობდა მეცადინეობებს პარიზის პოლიტექ. სკოლაში. საბოლოოდ ჩამოაყალიბა ფარდობითი მოძრაობის თეორია ე. წ. *კორიოლისის ძალისა* და *კორიოლისის აჩქარების* ცნების შემოტანით. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰ-ის შრომებს, რ-ებშიც იგი აშუქებდა მანქანათა მოქმედების გაანგარიშების, დრეკადი ბირთვების დაჯახებისა და სხვა საკითხებს.

კორიოლისის აჩქარება (*კორიოლისის* სახელის მიხედვით), მ ო ბ რ უ ნ ებ ი ს ა ჩ ქ ა რ ე ბ ა, ათვლის ძირითადი სისტემის მიმართ წერტილის სრული აჩქარების ნაწილი, რ-იც გამომჟღავნდება ე. წ. რთული მოძრაობისას (იხ. *ფარდობითი მოძრაობა*), როდესაც *გადატანითი მოძრაობა*, ე. ი. ათვლის მოძრავი სისტემის მოძრაობა წინსვლითი არ არის. რიცხობრივად ჰ. ა. $w_{კორ} = 2\omega_{გად} v_{ფარდ} \sin\alpha$, სადაც $\omega_{გად}$ არის რომელიმე AB ღერძის ირგვლივ ათვლის მოძრავი სისტემის ბრუნვის კუთხური სიჩქარე, α — კუთხე ფარდობითი მოძრაობის $v_{ფარდ}$ სიჩქარესა და AB ღერძს შორის. ჰ. ა-ის მიმართულება შეიძლება მივიღოთ, თუ $v_{ფარდ}$ ვექტორს დავაგეგმილებთ AB ღერძის პერპენდიკულარულ სიბრტყეზე და ამ გეგმილს მოვაბრუნებთ 90°-ით გადატანითი მოძრაობის მხარეს (იხ. ნახ.). დედამიწის ზედაპირის გასწვრივ მოძრაობისას მისი ბრუნვის შედეგად წერტილს ჰ. ა. ექნება ვარსკვლავების მიმართ და არა დედამიწის მიმართ.



კორიოლისის აჩქარება.

კორიოლისის ძალა, ინერციის ძალების ერთ-ერთი სახე, რ-იც შემოაქვთ იმისათვის, რომ გაითვალისწინონ ათვლის მოძრავი სისტემის ბრუნვის გავლენა მატერ. წერტილის *ფარდობითს მოძრაობაზე*. ჰ. ძ. რიცხობრივად უდრის წერტილის მასის ნამრავლს მის *კორიოლისის აჩქარებაზე* და მიმართულია ამ აჩქარების საწინააღმდეგოდ. ეფექტი, რ-იც ჰ. ძ-ს ითვალისწინებს, იმაში მდგომარეობს, რომ ათვლის მბრუნავ სისტემაში ბრუნვის ღერძის არაპარალელურად მოძრავი მატერ. წერტილი გადაიხრება მისი ფარდობითი სიჩქარისადმი პერპენდიკულარული მიმართულებით ან წნევას ახდენს სხეულზე, რ-იც ასეთ გადახრას ეწინააღმდეგება. დედამიწაზე ეს ეფექტი, რ-იც მისი დღეღამური ბრუნვითაა განპირობებული, იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლად ვარდნილი სხეული ვერტიკალიდან აღმ-კენ გადაიხრება (1-ლი მიახლოებით), დედამიწის ზედაპირის გასწვრივ მერიდიანის მიმართულებით მოძრავი სხეული კი — ჩრდ. ნახევარსფეროში მარჯვნივ, ხოლო სამხრეთში—მისი მოძრაობის მიმართულებიდან მარცხნივ. ჰ. ძ-ით აიხსნება მდინარეთა ნაპირების გამორეცხვა (იხ. *ბერის კანონი*), ზღვისა და ჰაერის ზოგიერთი დინების წარმოშობა და სხვ.

კორიუმი (ლათ. corium <ბერძნ. chorion — კანი), კანის შემაერთებელქსოვილოვანი შრე; იგივეა, რაც *დერმა*.

კორიუნი, V ს. სომეხი ისტორიკოსი, მწერალი და მთარგმნელი. მესროპ მაშტოცის (დაახლ. 361—440) მოწაფე, „მაშტოცის ცხოვრების" ავტორი. თხზულებაში დაცულია საგულისხმო ცნობები სომხ. ეკლესიის ბრძოლაზე წარმართული სარწმუნოებისა და ერესების წინააღმდეგ. იგი შეიცავს აგრეთვე ცნობებს საქართვ. და სხვა მეზობელი ქვეყნების პოლიტ. და კულტ. ცხოვრების შესახებ. ჰ-ის თხზულება პირველი ორიგინ.-ისტ ნაშრომია სომხ. ენაზე.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935.
გ. მაისურაძე.

კორკი (Cork), ქალაქი სამხრ. ირლანდიაში, მანსტერის ისტ. პროვინციაში, მდ. ლის ნაპირზე, კორკის ყურის (ატლანტის ოკ.) მახლობლად. 129 ათ. მცხ. (1971). სატრანსპ. კვანძი. დიდი საზღვ. ნავსადგური და სამრეწვ. ცენტრი. ხორცსაკონსერვო, საფქვავი, ტყავის, შალის, ფოლადსასხმელი, ელექტროტექ., ქიმ., ტრაქტორთ- და ავტოსაშენებელი საწარმოები, გემთსარემონტო ვერფები. ჰ. წარმოიშვა VI ს-ში. ქალაქში არის უნ-ტის კოლეჯი.

კორკინო, ქალაქი რსფსრ ჩელიაბინსკის ოლქში. რკინიგზის სადგ. ჩელიაბინსკიდან 35 *კმ*. 63 ათ. მცხ. (1980). მურა ნახშირის მოპოვების ერთ-ერთი ცენტრი. საექსკავატორო-ვაგონთსარემონტო, ავტოსარემონტო, ცემენტის, საკედლე მასალის, საშახტე სამაგრების, მინის ქ-ნები, აზბესტცემენტის ნაკეთობათა კომბინატი; სამკერვალო ფ-კა. სამთო-სამშენებლო, საშენ მასალათა და კვების მრეწვ. ტექნიკუმები.

კორკულა, სამხრ. ოსეთის აო ცხინვალის რ-ნის სოფლების *ზემო კორკულისა* და *ქვემო კორკულის* ძვ. სახელწოდება.

კორმოფიტები (ბერძნ. kormos — ღერო და phyton — მცენარე), მცენარეები, რ-თაც ღერო და ფოთლები აქვთ. ასეთია ხავსების უმეტესობა, გვიმრანაირი და თესლოვანი მცენარეები. ჰ. ჩამოყალიბდნენ თალუსოვანი მცენარეების ისტ. განვითარების პროცესში.

კორნბერგი (Kornberg) ართურ (დ. 3. III. 1918, ბრუკლინი, აშშ), ამერიკელი ბიოქიმიკოსი. აღმოაჩინა და გამოყო ფერმენტი დნმ-პოლიმერაზა, რ-იც უჯრედთა დაყოფის დროს ახდენს დნმ-ს მოლეკულების სინთეზს. ჰ-მა თავისივე აღმოჩენილი ფერმენტით განახორციელა ჯერ დნმ-ს მატრიცული სინთეზი დეზოქსირიბონუკლეოტიდებიდან, ხოლო შემდეგ — ერთ-ერთი ბაქტერიოფაგის (ϕx 174) დნმ-ს სინთეზი, რ-საც ბუნებრივი ფაგის მსგავსი ინფიცირების უნარი ჰქონდა. 1959 ს. *ოჩოასთან* ერთად მიენიჭა ნობელის პრემია.

კორნეევი პეტრე გიორგის ძე [დ. 2 (14). XII. 1883, სამარის გუბ., ახლანდ. კუიბიშევის ოლქი], საბჭ. ქირურგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). 1908 დაამთავრა მოსკ. უნ-ტი. 1930—60 იყო მის მიერ დაარსებული (1919) ლენინგრ. ქირურგ. ტუბერკულოზის ინ-ტის დირექტორი. დაასაბუთა ძვალ-სახსართა ტუბერკულოზის პათოგენეზსა და ევოლუციაში „პირველადი ოსტიტის" წამყვანი როლი, დაამუშავა ამ დაავადების კლასიფიკაცია. შემოიღო სხვადასხვა საოპერაციო მეთოდიკა, შემოიღო და სრულყო მრავალი ქირურგ. ხელსაწყო და აპარატი. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საერთაშ. კავშირისა და ქირურგთა საერთაშ. ასოციაციის ნამდვილი წევრი, სსრკ სახელმწ. პრემია (1952), ლენინური პრემია (1965). დაჯილდოებულია 3 ორდენით.

თხზ.: Клиника и лечение костно-суставного туберкулёза, М., 1959; Хирургия костно-суставного туберкулёза, Л., 1964.

კორნეიჩუკი ალექსანდრე ევდოკიმის ძე [12 (25). V. 1905, ს. ხრისტინოვკა, ახლანდ. ჩერკასის ოლქი, — 14. V. 1972, კიევი], უკრაინელი საბჭ. მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. უკრ. სსრ (1939) და სსრკ (1943) მეცნ. აკად. აკადემიკოსი. სკკპ წევრი 1940-იდან. სკკპ ცკ-ის (1952-იდან) და უკრ. კპ ცკ-ის (1949-იდან) წევრი. სოციალ. შრომის გმირი (1967). მისი პირველი მოთხრ. „იგი დიადი იყო" (1925) ვ. ი. ლენინისადმია მიძღვნილი. პიესისათვის „პლატონ კრეჩეტი" (1935), რ-შიც შექმნა საბჭ. ინტელიგენტის შთამბეჭდავი სახე, და ჰეროიკულ-რომანტ. დრამისათვის „ბოგდან ხმელნიცკი" (1939) მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1941). საკოლმ. ცხოვრების თემაზეა აგებული ჰ-ის პიესები „უკრაინის სტეპებში" (1941; სსრკ სახელმწ. პრემია, 1942), „ჩამობრძანდით ზეონკოვოეში" (1947), „მაკარ დუბრავა" (1948; სსრკ სახელმწ. პრემია, 1949), „ძახველის ჭალა" (1950; სსრკ სახელმწ. პრემია, 1951). დიდი სამამულო ომის პერიოდში შექმნა პიესები „პარტიზანები უკრაინის სტეპებში" (1941) და „ფრონტი" (1942; სსრკ სახელმწ. პრემია, 1943). თანამედროვეობის მწვავე პრობლემები დააყენა ჰ-მა ომის შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში [„დნეპრზე", 1960; „შურისგება", 1969, „გულის სახსოვარი" (1969, უკრ. სსრ შევჩენკოს სახ. სახელმწ. პრემია, 1971)]. მის კალამს ეკუთვნის 20-ზე მეტი დრამა და კომედია. 1960 მიენიჭა ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის". სსრკ I—VIII მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უკრ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავრე (1959-იდან). დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ა. კორნეიჩუკი.

თხზ.: Сочинения, т. 1—3, М., 1956.

ლიტ.: ბ ა ქ ა ნ ი ძ ე ო., ალექსანდრე კორნეიჩუკის დრამატურგია, «საბჭოთა ხელოვნება», 1975, № 9. *ო. ბაქანიძე.*

კორნელი, კ ო რ ნ ე ი (Corneille) პიერ (6. VI. 1606, რუანი, — 1. X. 1684, პარიზი), ფრანგი დრამატურგი. საფრ. აკად. წევრი 1647-იდან. დაიბადა მდიდარი მოსამართლის ოჯახში. მიიღო იურიდ. განათლება. განვლო რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი გზა. ქ-მ სცადა დაედგინა დრამატურგიის რაციონა-

პ. კორნელი.



ვ. კორნილოვი.

კ. კ ო რ ო. ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი). დაახლ. 1835. უფიცის გალერეა. ფლორენცია.



კ კ ო რ ო. ქალი მარგალიტით. 1860. ლუვრი. პარიზი.

ლისტური საფუძვლები; მხატვრული ასახვის ობიექტად აქცია ისტ., ანტ. და მითოლ. სიუჟეტები, განსაკუთრებით მძაფრი დრამ. მოვლენები და პოლიტ. პრობლემები; მისი მთავარი პერსონაჟები მეფეები და გამოჩენილი პიროვნებები არიან. კ-ს ტრაგედიები ისტ. მნიშვნელობის მოვლენების, კონფლიქტების, სახეების მიღმა წარმოგვიდგენს XVII ს. საფრ. ცხოვრების სურათებს („ცინა...", „ჰორაციუსი", „პომპეუსი", „პოლიევქტე", „ატილა" და სხვ.).

თუ ადრეულ პიესებში („მელიტა ანუ ყალბი წერილები", დაიდგა 1629, გამოქვეყნდა 1633; „კლიტანდრი ანუ განთავისუფლებული უბიწოება", დაიდგა 1630—31, გამოქვეყნდა 1632; „ქვრივი ანუ დასჯილი გამცემი", 1632—33; „მეფის მოედანი ანუ ჭეშმარიტი შეყვარებული", 1633—34 და სხვ.) კ. მეტ ყურადღებას უთმობდა ლუი XIII-ის ეპოქის კერძო ინტერესებს, მაღალი საზ-ბის ყოფით ურთიერთობებს და ამ პიესებში ჭარბად იყო ტრაგიკომედიისა და ზნეობათა კომედიის ელემენტები, მომდევნო ეტაპზე დომინანტური გახდა კონფლიქტები ნებასა და გრძნობას, ნებასა და სწრაფვას, მოვალეობასა და ვნებებს შორის; უპირატესობა მიენიჭა ნებას, გონებასა და მოვალეობას. პირველი ასეთი ტრაგედია იყო „მედეა" (დაიდგა 1635, გამოქვეყნდა 1639), რ-საც მოჰყვა 2 ტრაგიკომედია „კომიკური ილუზია" და „სიდი" (ორივე დაიდგა და გამოქვეყნდა 1637). მიუხედავად იმისა, რომ მწერალმა ისარგებლა ესპ. ისტ. წყაროებით, რომანსებითა და, რაც მთავარია, გ. დე კასტროს პიესით, „სიდი" მაინც აღიარეს სრულიად ორიგინ. ფრანგ. ეროვნ. ნაწარმოებად, პირველ დრამ. შედეევრად და ფრანგ. თეატრში წარმოდგენილ კლასიცისტური სტილის პირველ ნიმუშად. მაგრამ პიესამ მაინც დიდი ლიტ.-თეატრ. დავა გამოიწვია. მომდევნო პიესებში „ჰორაციუსი" (დაიდგა 1640, გამოქვეყნდა 1641), „ცინა ანუ ავგუსტუსის ლმობიერება" (დაიდგა 1640, გამოქვეყნდა 1643), „წამებული პოლიევქტე" (დაიდგა 1641 — 42, გამოქვეყნდა 1643), „ჰომეროსის სიკვდილი" (დაიდგა 1642, გამოქვეყნდა 1644) და სხვ. კ. ცდილობდა ზედმიწევნით დაეცვა კლასიციზმის პრინციპები. ამ პიესებისათვის ნიშანდობლივია ჰეროიზმის, იდეალური, გონივრული სახელმწიფოს განდიდება, კონფლიქტი მოვალეობასა და ვნებებს შორის.

კ. არა მარტო ფრანგ. ტრაგედიის მამამთავარი იყო; მანვე ჩაუყარა საფუძველი ფრანგ. ხასიათების კომედიას („მატყუარა", დაიდგა 1643, გამოქვეყნდა 1645; „მატყუარას გაგრძელება", დაიდგა 1643, გამოქვეყნდა 1645).

40-იან წლებში კ-ს პიესებს აშკარად დაეტყო ამ პერიოდის პოლიტ. მოვლენებით გამოწვეული ღრმა იდეური კრიზისის, მაღალი ჰუმანისტური იდეებისა და პრინციპების შერყევის კვალი („როდოგუნა, პართელთა დედოფალი", დაიდგა 1644—45, გამოქვეყნდა 1647; „ჰერაკლე. აღმოსავლეთის იმპერატორი", დაიდგა 1646, გამოქვეყნდა 1647; „ანდრომედე", 1650; „ოქროს საწმისი", 1660; „სოფონისბა", 1663 და სხვ.). პიესა „სურენის" (დაიდგა 1674, გამოქვეყნდა 1675) დადგმის შემდეგ კ-მ მთლიანად მიატოვა თეატრი.

კ-ს პიესები თარგმნილია და იდგმება მსოფლიოს მრავალი თეატრის სცენაზე. საქართველოში კ-ს ჯერ კიდევ XVIII ს-ში იცნობდნენ და აფასებდნენ. მისი დიდი თაყვანისმცემელი იყო ალ. ჭავჭავაძე, რ-მაც 1840 ფრანგულიდან თარგმნა ტრაგედიები „სინა", „ოიდიპოსი" (თარგმ. სათაურია „ედიპი"), „ჰერაკლე".

თხზ.: Œuvres, v. 1—12, P., 1862—68; Избр. трагедии, М., 1956; სიდი, «საბჭოთა ხელოვნება», 1975, №9; სინნა, ედიპი, ჰერაკლე, წგნ.: ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ა., თხზულებანი, თბ., 1940; ცინა, ბათ., 1961.

ლიტ: ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე დ., ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969; ქ ი ქ ო ძ ე გ., პიერ კორნელი, წგნ: კ ო რ ნ ე ლ ი პ., სიდი, ბათ., 1957; Б а л а ш о в Н. И., П. Корнель, М., 1956; История французской литературы, т. 1, М.—Л., 1946.

დ. ფანჩულიძე.

კორნელიუსები (Cornelii), ძველი რომის ერთ-ერთი უძველესი პატრიციული გვარი, რ-ის წარმომადგენლები იყვნენ ცნობილი სახელმწ. მოღვაწეები და მხედართმთავრები. იყოფოდა რამდენიმე შტოდ: მალუგინენსები (Maluginensis), სციპიონები (Scipio), ლენტულები (Lentuli), სულები (Sullae), ცეთეგები (Cethegi), დოლაბელები (Dolabella), ცინა (Cinna); ნაკლებად მნიშვნელოვანნი იყვნენ მამულები (Mammulae) და მერულები (Merulae). მოგვიანებით იყვნენ პლებეური წარმოშობის კ-ც, მ. შ. ბალბები (Balbi).

კორნელიუს ნეპოსი (Cornelius Nepos) (დაახლ. ძვ. წ. 100, ციზალპური გალია, — ძვ. წ. 32 შემდეგ, რომი), ძვ. რომაელი ისტორიკოსი და პოეტი. რომაულ ლიტ-რაში პირველმა გადმოსცა მსოფლიო ისტორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით (თხზ. „ქრონიკა"). მას ეკუთვნის აგრეთვე „მაგალითები" (ისტ. ანეკდოტებისა და სხვადასხვა ღირსშესანიშნავი მოვლენების შესახებ მოთხრობების კრებული), თხზ. „სახელოვანნი ადამიანების შესახებ" (დაახლ. 16 წიგნს მოიცავდა). ამ თხზულებებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ უცხოელი მხედართმთავრების 23 ბიოგრაფიამ და რომაელი ისტორიკოსების — კატონ უფროსისა და ატიკას ბიოგრაფიებმა. ავტორია აგრეთვე ეროტიკული ლექსებისა.

კორნერი (ინგლ. corner — საქონლის შესყიდვა სპეკულაციის მიზნით), კაპიტალისტთა გაერთიანების უმარტივესი ფორმა. მისი მიზანია დაიპყროს ამა თუ იმ საქონლის ბაზარი, საქონლის შესყიდვის გზით, რათა შემდგომ იგი სპეკულაციურ ფასებში გაყიდოს. კ-ები იქმნება სასაქონლო, აგრეთვე საფონდო ბირჟაზე, სადაც იგი შეისყიდის ცალკეული კომპანიების აქციებს შემდგომ გასაყიდად და ცალკეული კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შესაძენად (იხ. *სააქციო საზოგადოება*). ზოგჯერ კ. იქმნება საფონდო ბირჟაზე იმ საქმოსნებთან დასაპირისპირებლად, რ-ებიც დიდი რაოდენობით ყიდიან კომპანიის აქციებს კურსის დასაცემად. ამასთან, ბირჟაზე გარიგების პირობა ისეთია, რომ გარიგების მომენტსა და მყიდველისათვის საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ფაქტობრივ გადაცემას შორის დროში განსხვავებაა (ზოგჯერ ორ კვირამდე), რ-იც საქმოსნებს საშუალებას აძლევს კვლავ იყიდონ თავიანთ მიერ გაყიდული აქციები ან საქონელი და ყიდვისა და გაყიდვის ფასებს შორის სხვაობით მიიღონ სპეკულაციური მოგება. კ. იქმნება იმ მიზნით, რომ არ იყოს გაყიდულის ხელმეორედ შესყიდვის შესაძლებლობა. ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმოსნებს გაკოტრება ელით, ზოგჯერ ისინი იძულებული არიან შეაჩერონ აქციების გაყიდვა, რაც იწვევს იმ კომპანიის აქციების კურსის სტაბილიზაციას, რ-ის სასარგებლოდაც კ. მოქმედებს. იხ. აგრეთვე *კაპიტალისტური მონოპოლიები*.

კორნეტი (ფრანგ. cornette—შტანდარტი; შტანდარტის ოფიცერი), უმცროსი ობერ-ოფიცრის ჩინი რუსეთის კავალერიაში. შემოიღეს 1801 მთელ კავალერიაში დრაგუნთა და კაზაკთა კავალერიის გარდა. უთანაბრდებოდა სხვა ჯარების პრაპორშჩიკის (1884-მდე) და პოდპორუჩიკის (1884-იდან) ჩინს. 1882-იდან კ-ის ჩინი შემოიღეს დრაგუნთა პოლკებში, შემდეგ — ჟანდარმერიასა და სასაზღვრო დაცვაში. გაუქმდა 1917-ში.

კორნეტი (ფრანგ. cornet <ლათ. cornu—რქა), სასულე მუსიკალური საკრავი. შედგება თითბრის ცილინდრული და კონუსური მილების ხვეულისაგან, რ-იც ძაბრისებური მილით, სავენტილო მექანიზმითა და მისადგმელი მუნდშტუკითაა დაბოლოებული. კ-ის სიგრძე (უმუნდშტუკოდ) 295—320 *მმ*-ია. იგი სიმფონიური და სასულე ორკესტრის შემადგენელი ნაწილია.

კორნილოველობა, კ ო რ ნ ი ლ ო ვ შ ჩ ი ნ ა, კონტრრევოლუციური ამბოხება 1917 აგვისტოში რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენ. ლ. კორნილოვის ხელმძღვანელობით. მიზნად ისახავდა რევ. ძალების განადგურებასა და რეაქციული სამხ. დიქტატურის დამყარებას. იელისის ამბებით დასრულდა რევ. მშვიდობიანი პერიოდი. ძალაუფლება მთლიანად დროებითი მთავრობის ხელში აღმოჩნდა, რ-იც კონტრრევოლუციის მიერ მომზადებული სამხ. გადატრიალების თანამონაწილე იყო. ამ აქტს მხარს უჭერდნენ ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლები. გადატრიალების მზადების ცენტრი იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი (მოგილიოვში). 25 აგვ. გენ. კორნილოვი დაიძრა პეტროგრადისაკენ და მოითხოვა დროებითი მთავრობის გადადგომა. ა. *კერენსკიმ* კორნილოვი მეამბოხედ გამოაცხადა, რაც გამოწვეული იყო კორნილოვის შიშითაც და დროებითი მთავრობის ავტორიტეტის ამაღლების მიზნითაც. მაგრამ კ-ის განადგურების უმთავრესი ორგანიზატორები ბოლშევიკები გახდნენ. რსდმპ(ბ) ცკ-ის მოწოდებით სწრაფად შეიქმნა წითელი გვარდია. მუშები, რევ. ჯარისკაცები, მეზღვაურები და რკინიგზელები ერთსულოვნად აღუდგნენ წინ კორნილოვის არმიას. რევ. პროპაგანდისა და წითელგვარდიელთა წინააღმდეგობის შედეგად კორნილოვის ჯარში დეზორგანიზაცია დაიწყო. გენ. ა. კრიმოვმა თავი მოიკლა. ამბოხების დანარჩენი ხელმძღვანელები დააპატიმრეს. 1917 წლის 31 აგვ. (13 სექტ.) ოფიციალურად გამოცხადდა კ-ის ლიკვიდაცია.

ლიტ.: ლ ე ნ ი ნ ი ვ. ი., პროექტი რეზოლუციისა თანამედროვე პოლიტიკური მომენტის შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 26; მ ი ს ი ვ ე, რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 1917 წ. 30 აგვ. (12 სექტ.), იქვე; მ ი ს ი ვ ე, ხმები შეთქმულების შესახებ. 1917 წ. 18—19 აგვ. (31 აგვ. — 1 სექტ.), იქვე; И в а н о в Н. Я., Корниловщина и ее разгром, Л., 1965.

კორნილოვი ვლადიმერ ალექსის ძე [1 (13). II. 1806, ტვერის გუბ.,—5 (17). X. 1854, სევასტოპოლი], რუსი სამხედროსაზღვაო მოღვაწე. ვიცე-ადმირალი (1852), *სევასტოპოლის დაცვის* (1854—55) გმირი. 1823 დაამთავრა საზღვ. კადეტთა კორპუსი. მონაწილეობდა *ნავარინოს ბრძოლაში* (1827) და რუს.-ოსმ. ომში 1828—29. 1830—34 მსახურობდა ბალტიის, ხოლო 1834-იდან — შავი ზღვის ფლოტში. 1838-იდან მ. *ლაზარევის* ესკადრის შტაბის უფროსი იყო. ხელმძღვანელობდა დესანტების მოქმედებას კავკ. სანაპიროებზე რეიდების დროს. 1851-იდან ფაქტობრივად სარდლობდა შავი ზღვის ფლოტს. მხარს უჭერდა ხომალდების უახლესი არტილერიით შეიარაღებას და იალქნიანი ხომალდების ორთქლის ხომალდებით შეცვლას. მონაწილეობდა ახ. საზღვ. წესდებისა და დარიგების შემუშავებაში, სევასტოპოლის სამხ.-საზღვ. ბლოკირების შექმნაში. *ყირიმის ომის* (1853—56) წინ მოაწყო ქვეითი დივიზიის სწრაფი გადასროლა ზღვით კავკასიაში. მონაწილეობდა ორთქლის გემების ბრძოლაში, რ-იც პირველი იყო ისტორიაში. 1854 სექტ. იყო ჩრდ. მხარის დაცვის უფროსი, მდ. ალმაზე ბრძოლის შემდეგ კი, როგორც სევასტოპოლის გარნიზონის შტაბის უფროსი, სათავეში ჩაუდგა მის დაცვას. სასიკვდილოდ დაიჭრა მალახოვ-კურგანზე.

ლიტ.: З в е р е в Б. И., Вице-ад-

мирал В. А Корнилов, Симферополь, 1957.

კორნილოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე [24. II (8. III). 1879, ტიუმენი, — 10. VII. 1957, მოსკოვი], საბჭ. ფსიქოლოგი. რსფსრ პედ. მეცნ. აკად. წევრი 1943-იდან, ვიცე-პრეზიდენტი 1950-იდან. დაამთავრა მოსკ. უნ-ტი (1910). 1923—30 და 1938—41 მოსკ. ფსიქოლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. მეთაურობდა ფსიქოლ. მეთოდოლ. გარდაქმნას დიალექტ. მატერიალიზმის საფუძველზე, იბრძოდა გ. ჩელპანოვის იდეალისტური სკოლის, ვ. ბეხტერევის რეფლექსოლოგიისა და ამერ. ბიჰევიორიზმის წინააღმდეგ, მაგრამ თავის კონცეფციაში („რეაქტოლოგიაში") უშვებდა მარქსისტული და მექანისტური პრინციპების ეკლექტიკურ შეერთებას.

თხზ.: Современная психология и марксизм, 2 изд., Л., 1925; Учения о реакциях человека с психологической точки зрения («Реактология»), 3 изд., М.—Л., 1927.

გ. მჭედლიშვილი.

კორნილოვი ლავრ გიორგის ძე [18 (30). VIII. 1870, ახლანდ. კარკარალინსკი, ყარაღანდის ოლქი, ყაზ. სსრ, — 13. IV. 1918, ეკატერინოდარი, ახლანდ. კრასნოდარი], რუსეთის კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ინფანტერიის გენერალი (1917). დაამთავრა მიხეილის საარტ. სასწავლებელი (1892) და გენშტაბის აკადემია (1898). მონაწილეობდა რუს.-იაპ. ომში (1904—05). 1907—11 — სამხ. ატაშე ჩინეთში. I მსოფლიო ომის (1914—18) დროს მეთაურობდა დივიზიას, კორპუსს, პეტროგრ. სამხ. ოლქის ჯარებს, მე-8 არმიას და სამხრ.-დას. ფრონტის ჯარებს. 1917 წ. 19 ივლ. (1 აგვ.) — 27 აგვ. (9 სექტ.) — უმაღლესი მთავარსარდალი (იხ. *კორნილოველობა*). დროებითმა მთავრობამ დააპატიმრა, მაგრამ მოახერხა ციხიდან გაქცევა. 1917 ნოემბ. მ. ალექსეევთან ერთად სათავეში ჩაუდგა თეთრგვარდიელ მოხალისეთა არმიას. მოკლეს ეკატერინოდართან ბრძოლებში.

კორნილოვიჩი ალექსანდრე ოსიპის ძე [7 (19). VII. 1800, მოგილიოვ-პოდოლსკი, ახლანდ. ვინიცის ოლქი, — 30. VIII (11. IX). 1834, თბილისის მახლობლად], დეკაბრისტი, ისტორიკოსი, სწავლობდა ოდესის ლიცეუმში. 1822—24 გამოაქვეყნა სტატიები XVIII ს. I მეოთხედისა და რუს. გეოგრ. აღმოჩენების შესახებ. 1825 მაისში მიიღეს დეკაბრისტთა სამხრ.-საზ-ბაში. აჯანყების დღეს სენატის მოედანზე იყო. მიუსაჯეს 8 წლის კატორღა. 1828—32 პეტრე-პავლეს ციხეში იჯდა. 1832 განაწესეს ქვეითად შირვანის პოლკში და გაგზავნეს კავკასიაში, სადაც ტიფით გარდაიცვალა.

კორნიუს სპირალი [სახელი ეწოდა ფრანგი ფიზიკოსის მ. ა. კორნიუს (M. A. Cornu, 1841—1902) პატივსაცემად]. სპირალისებრი ბრტყელი წირი.

კორნუოლი (Cornwall), ნახევარკუნძული დიდი ბრიტანეთის სამხრ.-დას-ით, ბრისტოლის ყურესა (ჩრდ.) და ლა-მანშის (სამხრ.) სრუტეს შორის. სიგრძე დაახლ. 120 *კმ*, სიგანე აღმ-ით 72 *კმ*-მდე. ნაპირები კლდოვანია და შეჭრილ-შემოჭრილი. უმთავრესად აგებულია ქვიშაქვებით, ფიქლებითა და გრანიტებით. კალისა და სპილენძის საბადოები. ჭარბობს ზეგანი და ბორცვიანი ვაკე. ჰაეა ზომიერია, ოკეანური, ზამთარი თბილი. ნალექები 1000 *მმ*-ზე მეტი წელიწადში. მუხისა და წიფლის ტყეები, ტორფნარები. განვითარებულია მეცხოველეობა. მთავარი ნავსადგურია პლიმუთი.

კორნფორტი (Cornforth) მორის კემბლ (დ. 28. X. 1909, ლონდონი), ინგლისელი ფილოსოფოსი-მარქსისტი. ფილოს. განათლება მიიღო ლონდონის (1929) და ოქსფორდის (1931) უნ-ტებში. 1934—46 დიდი ბრიტ. კომპარტიის აღმოსავლეთ ინგლისის საოლქო კომიტეტის წევრი. 1946—50 ჟურნალ „Soviet News"-ის რედაქტორის მოადგილე. 1950-იდან გამომც. „ლორენს ენდ უიშარტ"-ის ხელმძღვანელი. მარქსისტული ფილოს. აქტ. პროპაგანდისტი, დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის საკითხების მკვლევარი და პოპულარიზატორი. აკრიტიკებს თანამედროვე ბურჟ. ფილოსოფიას — *ლოგიკურ პოზიტივიზმს*, ლინგვისტური ანალიზის ფილოსოფიას, *პრაგმატიზმს*; ებრძვის ანტიკომუნისტურ თეორიებს. მისი ძირითადი ნაშრომები თარგმნილია რუსულად.

თ. ნანობაშვილი.

კორნჰერტი (Coornhert) დირკ ვოლკერტსზონ (1522, ამსტერდამი, — 29. X. 1590, გაუდა), ნიდერლანდელი მწერალი. ჰუმანიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი მთავარი დიდაქტ. თხზ. „ეთიკა ანუ სწორად ცხოვრების ხელოვნება" (1586) და ლექსები გამსჭვალულია ადამიანისადმი დიდი რწმენით. ჰ-ს ეკუთვნის აგრეთვე „სიყვარულისა და ტანჯვის კომედია" (1567), „ისრაელის კომედია" (1575) და სხვ. იბრძოდა ეროვნ. ენის სიწმინდისათვის.

კორო (Corot) კამილ (16. VII. 1796, პარიზი, — 22. II. 1875, იქვე), ფრანგი ფერმწერი. 1822—24 სწავლობდა აკად. მიმართულების ფერმწერების ა. მიშალონისა და ვ. ბერტენის ხელმძღვანელობით. იყო იტალიაში 1825—28, 1834 და 1843. ჰ. XIX ს. ფრანგ. რეალისტური პეიზაჟის ერთ-ერთი შემქმნელია. იგი ოსტატურად გადმოგვცემს ჰაერის გამჭვირვალობას, მზის მკაფიო სინათლეს; მის ნამუშევრებს ახასიათებს მკაცრად გაწონასწორებული კომპოზიცია, ფორმათა სკულპტურულობა („ჰომეროსი და მწყემსები", 1845, მუზეუმი სენ-ლოში). 1850-იან წლებში ჰ-ს შემოქმედებაში გაძლიერდა პოეტური მჭვრეტელობა, შთაგონებულობა, მეოცნებე-ელეგიური განწყობილება („მორტეფონტენის გახსენება", 1864, ლუვრი). მის ფერწერულ მანერას სიმსუბუქე და მთრთოლვარება შეემატა, ვალეორებით მდიდარი და ჰაეროვანი გახდა. ჰ-ს სურათებზე აღბეჭდილია ბუნების ცვალებადი წამიერი მომენტები, შენარჩუნებულია პირველი. შთაბეჭდილების სიცხოველე, ამ მხრივ იგი იყო *იმპრესიონიზმის* წინამორბედი. პეიზაჟების პარალელურად ჰ. ქმნიდა ჟანრულ პორტრეტებს („ქალი მარგალიტით", 1660, ლუვრი), რ-ებშიც ოსტატურად აერთიანებდა მოდელსა და გარემოს. ჰ. ცნობილია აგრეთვე როგორც ლითოგრაფი, ოფორტისტი და გრაფიკოსი.

ლიტ.: Алпатов М. В., Коро, Л., 1936; Коро—художник, человек, М., 1963.

ილუსტრაცია—იხ. ჩანართი, გვ. 640.

კორობოვი ივანე კუზმას ძე (1700 ან 1701—1747, მოსკოვი), რუსი არქიტექტორი და ინჟინერი. 1718—27, როგორც პეტრე I-ის პენსიონერი, სწავლობდა ბელგიასა და ჰოლანდიაში. პეტერბურგში აღრინდ. რუს. ბაროკოს სტილით გადააკეთა *საადმირალოს* შენობა, ფონტანკაზე ააშენა ვერფი (დაიწყო 1735, დაშლილია), სავარაუდოა პანტელეიმონის ეკლესიაც (1735—39). მონაწილეობდა რუს. I არქიტ. ტრაქტატის შედგენაში. 1741-იდან მუშაობდა მოსკოვში. აღზარდა ცნობილი არქიტექტორები (ს. ჩევაკინსკი, ა. კოკორინოვი, დ. უხტომსკი).

კოროვინები, რუსი ფერმწერები, ძმები. 1. კონსტანტინე ალექსის ძე [23 XI (5. XII). 1861, მოსკოვი, — 11. IX. 1939, პარიზი], სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1875—86) და პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1882). მუშაობდა მოსკოვში, 1923-იდან — საზღვარგარეთ. იყო მხატვარ-დეკორატორი სხვადასხვა თეატრში, პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1901—18). სამხატვრო გაერთიანება „მირ ისკუსსტვას" და რუს მხატვართა კავშირის წევრი. ჰ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია სამყაროს უშუალო შეგრძნება, მდიდარი კოლორიტი. იგი თეატრ. ფერწერის რეფორმატორია (პუნის ოპერა „კუზიანი კვიცი", 1901; გლინკას ოპერა „რუსლან და ლიუდმილა", 1907, — დიდი თეატრი, მოსკოვი); ავტორია პეიზაჟების, პორტრეტებისა და ჟანრული სურათებისა („პარიზის კაფე", 1899—1900, ტრეტიაკოვის გალერეა; თ. შალიაპინის პორტრეტი, 1911, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი და სხვ.). 1900-იან წლებში განიცადა *იმპრესიონიზმის* გავლენა.

სერგეი ალექსის ძე [7 (19). VIII. 1858, მოსკოვი, — 13 (26). X. 1908, იქვე], სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში (1876—86), მუშაობდა პედაგოგად იქვე (1888—1907). რუს. მხატვართა კავშირის წევრი. გააგრძელა „პერედვიჟნიკების" დემოკრ. ხელოვნ. ტრადიციები („დასჯის წინ", 1884, სსრკ რევ. მუზეუმი, მოსკოვი). 1890-იან წლებში მის ჟანრულ სურათებში თავი იჩინა წერის ფართო, ეტიუდურმა მანერამ. შექმნა ნ. გოგოლის „შინელის" ილუსტრაციები (1900—08 წლებს შორის, ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუს. მუზეუმი, ლენინგრადი).

ლიტ.: Коган Д., Константин Коровин, М., 1964; Суздалев П., С. А. Коровин, Л., 1967.



ი. კოროვინი. საადმირალოს შენობა. 1727—38. ცენტრალური ნაწილი შპილით. ნახაზი. ისტორიის მუზეუმი. ლენინგრადი.

კ. კოროვინი.

კ. კოროვინი. „ესპანელი ქალები ლეონორა და ამნარა აიეანთან". 1886. ტრეტიაკოვის გალერეა. მოსკოვი.

ს. კოროვინი.

კორზინა (<გვიანდ. ლათ. corrosio—ამოჭმა) (გეოლ.), 1. წყლის ქიმიური ზემოქმედებით ქანების დაშლა (გახსნა), რასაც თან სდევს ქანებში ნაპრალების, სიღრუეების, ძაბრების, მღვიმეებისა და სხვა სიცარიელეთა წარმოქმნა. ჰ-ს ადვილად განიცდის ქვამარილი, თაბაშირი, კირქვა და სხვა ადვილადხსნადი ქანები. 2. მაგმური მდნარის ან მაგმის მიერ შეტანებული ქანის ნატეხების (ქსენოლითების) და ადრე გამოყოფილი კრისტალების ნაწილობრივი გახსნა და მოლღობა.

კორზია ლითონებისა, ლითონების რღვევა გარემოს ქიმიური ან ელექტროქიმიური ზემოქმედების შედეგად. ჰ-ის მიზეზია ლითონისა და კორზიული გარემოსაგან შემდგარი სისტემის თერმოდინ. არამდგრადობა. თერმოდინ. არამდგრადობის საზომია თავისუფალი ენერგიის ცვლილება ლითონის გარემოსთან ურთიერთქმედების დროს. ჰ-ის შედეგად ლითონი კარგავს სიმტკიცეს, სისალეს, პლასტიკურობას, თბოდა ელექტროგამტარობის უნარს და სხვა თვისებებს. ყოველწლიურად ჰ-ის შედეგად იკარგება მსოფლიოში მოპოვებული ლითონის 8—10%. თუ ჰ. ლითონის მთელ ზედაპირს მოიცავს, მას მთლიანს უწოდებენ, იგი ორი სახისაა: თანაბარი (თუ რღვევის სიღრმე ყველა უბანზე ერთნაირია) და არათანაბარი (რღვევის სიღრმე სხვადასხვაგვარია). ჰ. ადგილობრივია, თუ დაზიანებულია ლითონის ზედაპირის ცალკეული ნაწილები. ლოკალიზაციის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ კოროზიულ ლაქებს (როდესაც ლითონის რღვევა სხვადასხვა უბანზე მცირე სიღრმეზეა გავრცელებული და იკავებს ლითონის ზედაპირის შედარებით დიდ ფართობს), კოროზიულ წყლულებს (საკმაოდ სერიოზული და ღრმა რღვევა ლოკალიზებულია შეზღუდულ უბნებზე) და კოროზიულ წერტილებს ანუ პიტინგებს (როცა რღვევა ლოკალიზებულია ძალიან მცირე უბნებზე). ადგილ. ჰ-ის გამომწვევი მიზეზია კოროზიული წყვილების მუშაობა. მათი კათოდებია პასიურ მდგომარეობაში მყოფი ლითონის ზედაპირის უბნები, ხოლო ანოდები — აქტ. მდგომარეობაში მყოფი ლითონის ზედაპირის უბნები. წყლულოვანი და წერტილოვანი ჰ-ის განვითარებას ხელს უწყობს ელექტროლიტში პასივატორების (ჟანგბადის, დამჟანგველების) და ძლიერი აქტივატორების (ქლორის, ბრომის, იოდის იონების) არსებობა. ზედაპირქვეშა ჰ-ის შემთხვევაში რღვევა

ვ. კოროლენკო.

ვ. კი:როლი.

ს. კოროლიოვი.

ზედაპირიდან იწყება და ძირითადად ლითონის ზედაპირის ქვეშ ვრცელდება, რის გამოც ლითონი ამობურცება და შრეებად დაიშლება. კ რ ი ს ტ ა ლ თ შ ო რ ი ს კ-ისას კოროზიული რღვევა კრისტალების შეხების საზღვარზე მიმდინარეობს, რის შედეგად გარეგნულად უცვლელი ლითონის მექან. თვისებები შეიძლება ძლიერ შეიცვალოს. თუ რღვევის შედეგად თვით ლითონის მარცხენი იხლიჩება — კ. ტ რ ა ნ ს კ რ ი ს ტ ა ლ უ რ ი ა. ლითონზე აგრესიული არის და მექან. ძაბვების ერთდროული მოქმედება იწვევს კოროზიულ დ ა ს კ დ ო მ ა ს. მექან. ძაბვების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ კოროზიული დასკდომის შემდეგ სახეებს: კ. პერიოდულად ცვლადი დატვირთვისას ანუ კოროზიული დ ა ღ ლ ი ლ ო ბ ა; კოროზიული დასკდომა გარეგანი და შინაგანი გამჭიმი ძაბვებით; ლითონის ზედაპირზე აგრესიული არის ენერგიული ზემოქმედებით გამოწვეული კ., ანუ კოროზიული კ ა ვ ი ტ ა ც ი ა; კოროზიულ ე რ ო ზ ი ა ს, ე. ი. კოროზიულ არეში ლითონის ზედაპირის ცვეთას, იწვევს სხვა მყარი სხეულის ხახუნი ან თვით კოროზიული არის ზემოქმედება. ამ მოვლენას ზოგჯერ კოროზიულ ცვეთას ან ფ რ ე ტ ი ნ გ კ-ს უწოდებენ. წ ყ ა ლ ბ ა დ უ რ ი ს ი მ ყ ი ფ ი ს მიზეზია ლითონში წყალბადის დიფუზია. ლითონის სიღრმეში შეჭრილი წყალბადის პროტონები ან ატომები გარეშე დენის წყაროდან ან მიკროელემენტების მუშაობის შედეგად მიღებული ელექტრონებით ნეიტრალდება, გროვდება მიკროფორებში (ან გარეშე ჩანართებში), სადაც ვითარდება 1300 ატმდე წნევა და ლითონში ლოკალური ბზარები წარმოიქმნება. ა მ ო რ ჩ ე ვ ი თ ი კ-ის დროს აგრესიულ გარემოსთან რეაქციაში შედის შენადნობის ერთ-ერთი კომპონენტი. ჯ ვ რ ი ტ უ ლ ი კ-ის მიზეზია ლითონის ნაწილობრივ დაეკრანებული ზედაპირის ანოდური გახსნა ლითონის დაუფარავ ზედაპირთან (კათოდთან) წყვილში. კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი კ-ისას უპირატესად კონსტრუქციის ის ნაწილი ირღვევა, რ-იც დამზადებულია უფრო უარყოფითი სტაციონარული პოტენციალის მქონე მასალისაგან.

პროცესის მექანიზმის მიხედვით განასხვავებენ ქიმიურსა და ელექტროქიმიურ კ-ს. ქ ი მ ი უ რ ი კ. გულისხმობს ლითონის ზედაპირზე გარემოს ისეთ მოქმედებას, რ-ის შედეგად ელექტროდენი არ წარმოიქმნება. ქიმ. კ. ემორჩილება ჰეტეროგენული რეაქციების ქიმ. კინეტიკის კანონებს. ქიმ. კ-ის მაგალითებია: ლითონთა ურთიერთქმედება მშრალ აირებთან, თხევად არაელექტროლიტებთან და ზოგჯერ გამდნარ ლითონებთან. ლითონთა ქიმ. კ-ის პროცესის არსია ლითონის უშუალოდ შეერთება აგრესიული გარემოს შემადგენელ ნაწილებთან, ხოლო მექანიზმია — ლითონის ატომების ან იონების დიფუზია კ-ის პროდუქტების შრეში და ჟანგბადის იონების ან ატომების შემხვედრი დიფუზია. ე ლ ე ქ ტ რ ო ქ ი მ ი უ რ ი კ. გულისხმობს ლითონებისა და ელექტროლიტების (წყალხსნარების, იშვიათად უწყლო ელექტროლიტების) ურთიერთქმედების პროცესს, რ-საც თან ახლავს ელექტროდენის გავლა. ლითონთა ელექტროქიმ. კ-ის მექანიზმის შესწავლა და პროცესების თეორიის შემუშავება დაფუძნებულია ელექტროქიმ. კინეტიკის ზოგად კანონებზე. რეაგენტისა და ლითონთა ურთიერთქმედების საერთო რეაქცია მოიცავს ორ დამოუკიდებელ პროცესს: ანოდურს (ლითონის კათიონები გადადის ხსნარში) და კათოდურს (განთავისუფლებული ელექტრონების დამჟანგველებით შებოჭვა). ელექტროქიმ. კ-ის რეალური სიჩქარე დამოკიდებულია თითოეული მარტივი საფეხურის პროცესის ჯამურ დამუხრუჭებაზე. იმის მიხედვით, თუ რომელი საფეხურის გამო მუხრუჭდება კ-ის პროცესი, განასხვავებენ კ-ს ანოდური, კათოდური და ომური (სისტემის საერთო წინაღობა) კონტროლით. პროცესის მიმდინარეობის მიხედვით ასხვავებენ ელექტროქიმ. კ-ის შემდეგ სახეებს: კ. ე ლ ე ქ ტ რ ო ლ ი ტ ე ბ შ ი — მიმდინარეობს ლითონურ კონსტრუქციებზე ბუნებრივი წყლებისა (ზღვის, მინერ.) და სხვადასხვა წყალხსნარების ზემოქმედებით. მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა კ-ის პროცესი მიმდინარეობს ლითონზე ნიადაგის ზემოქმედების შედეგად. მიწისქვეშა კ-ისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონსტრუქციის სხვადასხვა უბანზე არათანაბარი აერაციის შედეგად წარმოქმნილი მაკროკოროზიული წყვილების მუშაობა, აგრეთვე ნიადაგში არსებული მოხეტიალე დენი (ელექტროკოროზია). ა ტ მ ო ს ფ ე რ უ ლ ი კ. მიმდინარეობს სუფთა ან გაჭუჭყიანებულ ჰაერში, აგრეთვე ნებისმიერ ტენიან აირში. ატმ. კ-ის სიჩქარე და მექანიზმი დამოკიდებულია ლითონის ზედაპირზე ტენის შრის სისქეზე ან წარმოქმნილი კ-ის პროდუქტების დასველების ხარისხზე. ბ ი ო კ ო რ ო ზ ი ა არის ლითონთა რღვევა, გამოწვეული მიკრო- და მაკროორგანიზმებისა და მათი სასიცოცხლო პროცესების შედეგად გამოყოფილი პროდუქტების გავლენით. რ ა დ ი ა ც ი უ ლ ი კ-ის დროს ლითონი ირღვევა რადიოაქტიური გამოსხივების ზემოქმედებით.

ლითონთა კ-გან დაცვის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია სახ. მეურნ. თითქმის ყველა დარგისათვის. იხ. *ანტიკოროზიული დაცვა. ფ. თავაძე. დ. რამაზაშვილი.*

კოროზიამედეგი მასალა, კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში მდგრადი ლითონური და არალითონური მასალა; იყენებენ აპარატების, მილსადენების, არმატურისა და სხვა ნაკეთობათა დასამზადებლად, რ-ებიც გათვალისწინებულია აგრესიულ გარემოში (მჟავა, ტუტე, მარილები, სხვადასხვა აირები) სამუშაოდ. ერთი გარემოსადმი მედეგი მასალა სხვა გარემოში შეიძლება ინტენსიურად დაიშალოს. მრეწველობაში ფართოდ იყენებენ როგორც ორგ., ისე არაორგ. წარმოშობის ბუნებრივსა და ხელოვნურ არალითონურ კ. მ-ს: მინას, კვარცს, ფაიფურს, მინაქარს, ცემენტს, ბიტუმს, ასფალტს, რეზინს, კაუჩუკს, პლასტმასებს, ალუმინისილიკატებს, ლაქსაღებავებს, ხესა და სხვ.; ლითონურ კ. მ-ს განეკუთვნება: სპილენძი, ალუმინი, ტყვია, თუთია, ტიტანი, ტანტალი, ნიკელი, ცირკონიუმი, ნიობიუმი და მათ ფუძეზე დამზადებული შენადნობები. ყველაზე მეტად გავრცელებულია რკინის ფუძეზე დამზადებული შენადნობები — თუჯი და ფოლადი. რკინას,მისი კოროზიამედეგობის გაზრდის მიზნით, ალეგირებენ სხვადასხვა ელემენტით, რ-თა შერჩევისას ითვალისწინებენ ფოლადის სამუშაო პირობებს. ქრომის, ნიკლისა და სილიციუმის დამატებით იზრდება რკინის დაპასივების უნარი; ქრომის, ალუმინისა და სილიციუმის დამატებით — მხურვალმედეგობის უნარი, ხოლო ტიტანისა და ნიობიუმის დამატება ზრდის მის მდგრადობას კრისტალთშორისი კოროზიისადმი; მოლიბდენი რკინას ანიჭებს მდგრადობას ქლორის იონების მიმართ; იშვიათ მიწათა ელემენტები ამცირებს რკინის მიდრეკილებას წყალბადური სიმყიფისადმი და სხვ. ქიმ. აპარატურის დასამზადებლად ფართოდ იყენებენ უჟანგავ ქრომნიკლიან ფოლადებს

O Х18Н10Т, ОХ23Н28М3Д3Т

(ЭИ943) და სხვ. უხვადლეგირებული ფოლადების ღირებულების შესამცირებლად ნიკელს, ქრომსა და მოლიბდენს ცვლიან მანგანუმით, სილიციუმით, აზოტით და სხვა ნაკლებდეფიციტური ელემენტებით. ასეთი ფოლადებია: ООХ18Н20С3М3Д3Б (ЭП667), ОХ14АГ15 (ДН13), ООХ13АГ19 (ЧС — 36):ООХ13Н9АГ19 (ЧС — 37) და სხვა, რ-ებიც მიიღეს საქ. სსრ მეცნ. აკად. ფ. *თავაძის* უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. რომელიმე კონკრ. აგრესიული გარემოსათვის კ. ნ-ის შესარჩევად სარგებლობენ მასალათა კოროზიული და ქიმ. მედეგობის საცნობარო ცხრილებით, ხშირად ატარებენ ცდებს ლაბორატორიაში ან უმუალოდ იმ ადგილზე და ისეთსავე პირობებში, როგორშიც შემდგომ უნდა გამოიყენონ მასალა. საექსპლუატაციოზე მძიმე პირობებში ჩატარებულ გამოცდებს დაჩქარებულს უწოდებენ.

ფ. თავაძე. დ. რამაზაშვილი.

კოროზიამედეგობა ლ ი თ ო ნ ე ბ ი ს ა, ლითონის ან შენადნობის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიული გარემოს ზემოქმედებას. კ. განისაზღვრება მასალის იმ ნაწილის მასით, რ-იც აგრესიული გარემოს ზემოქმედების შედეგად კოროზიის პროდუქტადაა გადაქცეული, დროის განსაზღვრულ ერთეულში ფართის ერთეულიდან.

კოროლენკო ვლადიმერ გალაქტიონის ძე [15 (27). VII. 1853, ჟიტომირი, — 25. XII. 1921, პოლტავა)], რუსი მწერალი. სწავლობდა პეტერბ. ტექნოლ. ინ-ტში, 1874-იდან—მოსკ. პეტრეს სამიწათმოქმედო აკადემიაში, საიდანაც 1876 გარიცხეს სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის. 1877 სწავლა განაგრძო პეტერბ. სამთო ინ-ტში. 1879 რეგ. საქმიანობისათვის დააპატიმრეს. 1885-მდე გადასახლებაში იმყოფებოდა. ჟურნალისტური მოღვაწეობა 1878-იდან დაიწყო. პირველი მოთხრ. „ეპიზოდები მაძიებლის ცხოვრებიდან" 1879 გამოაქვეყნა. ხელოვანის უწმინდეს მოვალეობად დემოკრატ მწერალს ხალხის სამსახური, რეგ. განწყობილებათა გაღვივება მიაჩნდა. კ-ს ზნეობრივ-მოქალაქეობრივი სახე კარგად ესადაგებოდა მის სამწერლო კრედოს: გადასახლებაში ყოფნის დროს ერთგულება არ შეჰფიცა ტახტზე ასულ ალექსანდრე III-ს, ხოლო შემდეგ, რუს. აკად. საპატიო აკადემიკოსად არჩეულმა (1900-იდან) მ. გორკის არჩევნების ჩაშლის გამო პროტესტის ნიშნად ა. ჩეხოვთან ერთად 1902 უარი თქვა თავის წოდებაზე.

1904—18 კ. ლიბერ.-ხალხოსნური ჟურნალის „რუსსკოე ბოგატსტვოს" აქტ. თანამშრომელი, ერთხანს რედაქტორიც იყო. მაგრამ მწერალი გაემიჯნა ხალხოსნურ ილუზიებს; მძაფრ პროტესტანტულ სულს, სწრაფვას თავისუფლებისაკენ იგი თვით გლეხობის წიაღში ეძებდა. ძალმომრეობისა და ექსპლუატაციის შეურიგებელი მტერი, რუს. რეალისტური სკოლის ტრადიციების გამაღრმავებელი კ. მკითხველში აღვივებდა ოპტიმიზმისა და სიმხნევის გრძნობას. მისი თხზულებებისათვის დამახასიათებელია ლირ.-რომანტ. ჟღერადობა, პუბლიც. წიაღსვლები, გმირული ხასიათების შექმნა (მოთხრ. „უცნაური", 1880; „ტყე ხმაურობს", 1886; „მდინარე თამაშობს", 1892 და სხვ.). კ-ს შემოქმედება გამსჭვალულია ფიქრით ადამიანის ბედნიერებაზე, რადგან „ადამიანი შექმნილია ბედნიერებისათვის, როგორც ფრინველი ფრენისათვის" (მოთხრ. „პარადოქსი", 1894). საყოველთაო ბედნიერების მოპოვებისათვის კი აუცილებელია ბრძოლა (მოთხრ. „მაკარის სიზმარი", 1883; „ცუდ წრეში", 1885; „თქმულება ფლორზე", „ბრმა მუსიკოსი", 1886; „წამი", 1900 და სხვ.).

კ-ს მდიდარი ლიტ. მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ვრცელი მემუარები „ჩემი თანამედროვის ისტორია" (1905—21; გამოქვეყნდა 1922), რ-შიც, სხვათა შორის, ჩანს მწერლის ურთიერთობა რეგ.-ხალხოსნური მოძრაობის ქართვ. მოღვაწეებთან (ციციშვილი, ჯაბადარი და სხვ.); აღსანიშნავია აგრეთვე მისი ლიტ.-კრიტ. წერილები, მხატვრული ნარკვევები და სხვ.

თხზ.: Собр. соч., т. 1—10, М., 1953—56; მოთხრობები, თბ., 1960. *ლ. ხიხაძე.*

კოროლი ვლადიმერ ადამის ძე [დ. 14 (27). XII. 1912, ქ. იგუმენი, ახლანდ. ჩერვენი, მინსკის ოლქი], საბჭ. არქიტექტო-

რი. სსრკ სახ. არქიტექტორი (1970). სკკპ წევრი 1940-იდან. სწავლობდა ლენინგრ. სამხატვრო აკადემიაში (1934—41). 1945-იდან მუშაობს ბელორ. სსრ-ში, ძირითადად მინსკში. ნამუშევრები მინსკში (თანაავტორებთან ერთად): გენ. გეგმა (1948—69), ლენინის პროსპექტი (1950-იანი წწ.; ბელორ. სსრ სახელმწ. პრემია, 1968), ცენტრ. მოედანი (1948—55), ძეგლი გამარჯვების მოედანზე (1954). „ბრესტის გმირი ციხესიმაგრის" მემორიალური კომპლექსის (1966—71) ერთ-ერთი ავტორი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, აგრეთვე სხვა ორდენებითა და მედლებით.

კოროლიოვი სერგეი პავლეს ძე [30. XII. 1906 (12. I. 1907), ჟიტომირი, — 14. I. 1966, მოსკოვი], საბჭ. მეცნიერი, რაკეტულ-კოსმ. სისტემების კონსტრუქტორი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1958). ლენინური პრემიის ლაურეატი (1957), ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1956; 1961), სკკპ წევრი 1953-იდან. 1930 ერთდროულად დაამთავრა მოსკ. უმაღლესი ტექ. სასწავლებელი და მოსკ. მფრინავთა სკოლა. ამავე წლის ივნისიდან მუშაობა დაიწყო ცენტრ. აეროჰიდროდინამ. ინ-ტში (ცაგი). 1931 ფ. ცანდერთან ერთად მონაწილეობდა რეაქტიული მოძრაობის შემსწავლელი ჯგუფის ჩამოყალიბებაში (მოსგირდ), რ-საც 1932 წლის მაისიდან თვითონ ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფმა შემდგომ ააგო და 1933 აგვ. გაუშვა პირველი თხევადსაწვავიანი რაკეტა „გირდ-09".

კ-ის ხელმძღვანელობით შექმნილია მრავალი ბალისტიკური და გეოფიზ. რაკეტა, რაკეტამატარებელი და პილოტირებული კოსმ. ხომალდები („ვოსტოკი" და „ვოსხოდი"), რ-თა მეშვეობით კაცობრიობის ისტორიაში პირველად განხორციელდა ადამიანის კოსმოსში გაფრენა და მისი კოსმ. სივრცეში გასვლა. კ-ის ხელმძღვანელობით დამუშავებული რაკეტულ-კოსმ. სისტემების საშუალებით მთვარის, ვენერასა და მარსის მიმართულებიო მსოფლიოში პირველად გაუშვეს ავტომ. პლანეტათშორისი სადგურები. მისივე ხელმძღვანელობით შექმნეს „ელექტრონისა" და „მოლნია-1"-ის სერიის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, „ზონდის" სერიის პლანეტათშორისი მზვერავი აპარატები.

კ. დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, „სოციალისტური შრომის" ორდენითა და მედლებით. მისი სახელი მიაკუთვნეს მთვარის უკანა მხარის დიდ წარმონაქმნს.

თხზ.: [წიგნში] Пионеры ракетной техники. Ветчинкин, Глушко, Королев, Тихонравов. Избр. труды 1929—1945 гг., М., 1972.

ლიტ.: Асташенков П. Т., Академик С. П. Королев, М., 1969; Романов А. П., Конструктор космических кораблей, 2 изд., М., 1971.

კოროვი, ხ ე ვ ნ ა რ ი, ბუნებრივი ან ხელოვნური წარმოშობის ტყის ნაკვეთი, რ-იც მოიცავს ხეებს, ბუჩქებსა და ტყის სხვადასხვა მცენარეულობას. შედგება ხეთადგომისა და ტყის სხვა კომპონენტებისაგან, აქვს მოცემული ნაკვეთისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები (წარმოშობა, ჯიშების შედგენილობა, ფორმა, სიმჭიდროვე, ასაკი, ტყის ტიპი, ბონიტეტი და სხვ.), რ-თა კომპლექსით განსხვავდება ის სხვა კ-გან. *ვ. მირზაშვილი.*

კოროგელი, სოფელი აჭარის ასსრ ქედის რ-ნში (ქედის სადაბო საბჭო), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 300 *მ*, ქედიდან 2 *კმ*. ქედის კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). დაწყ. სკოლა.რვაწლ. სკოლა სოფ. ძენწმანში (1 *კმ*).

კოროველის ბრძოლა 1914, საზღვაო ბრძოლა ბრიტანეთისა და გერმანიის კრეისერთა ესკადრებს შორის I მსოფლიო ომის (1914—18) დროს, 1914 წ. 1 ნოემბ. ქ. კოროველთან (Coronel, ჩილე). წყნარ ოკეანეში მყოფი გერმ. ესკადრა (2 ჯავშნიანი და 3 მსუბუქი კრეისერი; ადმ. მ. შპეე) 1 ნოემბ. შეხვდა ბრიტ. ესკადრას (2 ჯავშნიანი, 1 მსუბუქი და 1 დამხმარე კრეისერი; კონტრ-ადმირალი კრედოკი). ბრძოლა გერმანელთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ 2 ბრიტ. ჯავშნიანი კრეისერი ჩაძირეს, დანარჩენმა კი ფასვლა მოახერხა.

კორონერი (ინგლ. coroner), დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირი, რ-ის მოვალეობაა ბუნდოვან გარემოებაში გარდაცვლილ პირთა სიკვდილის მიზეზის დადგენა. ჩვეულებრივ, კ. იძიებს უეცარი სიკვდილის გარემოებებს, როცა სავარაუდოა ძალადობითი სიკვდილი. შეგროვილ მასალას კ. ერთპიროვნულად იშვიათად თუ განიხილავს; უმეტესად იგი საქმეს გადასცემს ე. წ. საკორონერო სასამართლოს (მცირე ჟიური). ჟიურის გამოაქვს *ვერდიქტი* მხოლოდ სიკვდილის მიზეზებზე, რის საფუძველზეც საქმეს შეიძლება მიეცეს შემდგომი მსვლელობა — მკვლელობაში ბრალდებული პირი გადაეცეს სასამართლოს ბრალეულობის დასადგენად.

კორონოგრაფი (ლათ. corona—გვირგვინი და ბერძნ. graphō-ვწერ), ტელესკოპი, რ-ითაც აკვირდებიან მზის გვირგვინს (კორონას). დედამიწის ატმოსფეროსა და ტელესკოპში გაბნეული სინათლე ბევრად უფრო კაშკაშაა, ვიდრე მზის გვირგვინის სინათლე. ამიტომ გვირგვინს მე-20 ს. 30-იან წლებამდე აკვირდებოდნენ მხოლოდ მზის სრული დაბნელებისას, როცა მზის ბადროს მთლიანად ფარავს მთვარე და გვირგვინი თავს იჩენს ცის შებნელებულ ფონზე. ჩვეულებრივ პირობებში გვირგვინზე დაკვირვება შესაძლებელი გახდა 1931 ფრანგი ასტრონომის ბ. ლიოს მიერ დაბნელებაგარეშე კ-ის გამოგონების წყალობით. კ-ის მთავარი ობიექტივი აგებს მზის გამოსახულებას ლითონის გაუმჭვირ დისკოზე (ე. წ. ხელოვნური მთვარე), რ-იც ინსტრუმენტში ქმნის ხელოვნურ დაბნელებას. შედარებით მარტივი ოპტ. სისტემის გამოყენებით ტელესკოპის ფოკუსში მიიღება საკუთრივ გვირგვინის გამოსახულება, რ-იც ან შუქფილტრით დაფარულ ფოტოფირზე აღიბეჭდება, ან სპექტროგრაფის ჭვრიტეზე დაგეგმილდება და საგანგებოდ შერჩეულ სპექტრულ ხაზებში ყარმოგვიდგება მისი ნათება.

მსოფლიოში უდიდესი კ-ები (ობიექტივის დიამეტრი 53 *სმ*) მუშაობს აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიაში, კისლოვოდსკის მთის ასტრონ. სადგურზე, ალმაათაში, ირკუტსკში და სხვ.

კორონტინი, ფ ა ლ ი-კ ო რ ი, სისხლძარღვთა გამაფართოებელი საშუალება, თეთრი კრისტალური ფხვნილი, ცუდად იხსნება წყალში (0,5%), იშლება მჟავებისა და ტუტეების ვავლენით. აუმჯობესებს გულის კუნთის (*მიოკარდიუმის*) ჟანგბადით მომარაგებას; აქვს სიმპათოლიზური მოქმედება, ტაბლეტების სახით იყენებენ გულის გვირგვინოვანი ძარღვების უკმარობის დროს.

კოროსტენი, ქალაქი (1926-იდან) უკრ. სსრ ჟიტომირის ოლქში, მდ. უჟის (პრიპიატის შენაკადი) ნაპირზე. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. 66 ათ. მცხ. (1980). კ., ძვ. რუს. ისკოროსტენი, დრევლიანების მთავარი ქალაქი იყო. მატიანეში პირველად 945 იხსენიება. ამ წელს აქ მოკლეს მთავარი იგორი. 946 მისმა ქვრივმა ოლგამ დაწვა ქალაქი. მოგვიანებით ისკოროსტენი კიევის სამთავროს ქალაქი გახდა. კ-ში არის საგზაო მანქანების, ქიმ. მანქანათმშ., რკინაბეტონის შპალების, ფაიფურის, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სხვა ქ-ნები, ხის დასამუშ. კომბინატი, ავეჯის, სამკერვალო, ბამბასართავი, სართავ-საქსოვი ფ-კები, კვების მრეწვ. საწარმოები. მანქანათმშ. ტექნიკუმის ფილიალი. ქალაქის მახლობლად იღებენ გრანიტს.

კოროსტიშევი, ქალაქი (1938-იდან), უკრ. სსრ ჟიტომირის ოლქში, მდ. ტეტერევის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე. კოროსტიშევის რ-ნის ცენტრი. ქაღალდის, ბამბის ქსოვილების, ბრიკეტების ფ-კები; სარემონტო, რკინაბეტონის ნაკეთობათა, სელის დასამუშ., აგურის, სპირტისა და სხვა ქ-ნები. პედსასწავლებელი. კ-ის მახლობლად მურა ნახშირის, გრანიტის მოპოვება და დამუშავება. პირველად მოიხსენიება XIII ს-ში.

კორპი, ფ ე ლ ე მ ა, მეორეული მფარავი ქსოვილი, *პერიდერმის* გარე შრე. წარმოიშობა კორპის კამბიუმის (*ფელოგენის*) უჯრედების ტანგენტალური დაყოფით. უვითარდება ღეროს, ტოტს, ფოთოლს, ფესვს, კვირტის ქერქლს, ზოგჯერ გორგალსა (ტუბერს) და ნაყოფს. კ-ის უჯრედები მკვდარია. მათი გარსები გაკორპების გამო არ ატარებს აირებს და სითხეს. შიგთავსი ამოვსებულია ჰაერით ან ფისოვანი ნივთიერებებით. კ. იცავს მცენარეს ჭარბი აორთქლებისა და ტემპ-რის მკვეთრი ცვალებადობისაგან, აგრეთვე მიკროორგანიზმების შეღწევისა და ცხოველთა მავნე მოქმედებისაგან. არყის კ. გაჟღენთილია თეთრი ფისოვანი ნივთიერებით — ბ ე ტ უ ლ ი ნ ი თ. *კორპის მუხის* ყველაზე სქელი და ყოველწლიურად მზარდი კ-ის ფენა გამოიყენება საცობების, ლინოლეუმის, საიზოლაციო ფილებისა და სხვ. დასამზადებლად.

კორპის მუხა (Quercus suber), მარადმწვანე გაშლილვარჯიანი ხე წიფლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 20—25 *მ* აღწევს. ღერო და ტოტები დაფარული აქვს *კორპის* სქელი ფენით. მომრგვალო-ელიფსური ფოთლები აქვს, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო ბუსუსიანი. ბუნებრივად იზრდება დას. ხმელთაშუაზღვისპირეთში (აქ მის ტყეებს ამჟამად მცირე ფართობები უკავია). სსრკ-ში პირველად XIX ს. დასაწყისში შემოიტანეს ყირიმსა და საქართველოში (სოხუმსა და ქუთაისში, ყოფილ ფერმის ბაღში — ამჟამად თბილ. ბოტან. ბაღის ფილიალი). მისი სამრეწვ. გაშენება საქართველოს სუბტროპიკებში (ქუთაისი, გაგრა, აგუძერა და სხვ.) 1930-იდან დაიწყო, უფრო გვიან კი შესაძლებელი გახდა აღმ. საქართველოშიც (ლაგოდეხის რ-ნში). კ. მ. სინათლისა და სითბოს მომთხოვნია. —16—18°C-ზე ეყინება ნორჩი ყლორტები, — 22° მთლიანად იღუპება. კარგად ხარობს ღრმა და უკირო ნიადაგზე. კორპი უკეთესი ხარისხის გამოდის მშრალ პირობებში. პირველი კორპის მოხდა შეიძლება 15—20 წლის ასაკიდან, შემდეგ კი — ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, 150—200 წლამდე. ერთი ძირიდან მიიღება 1 *კგრ*-მდე კორპი. დას. საქართველოს მძიმე და ტენიან ნიადაგზე კ. მ-ს აზიანებს „შავი ტირილი", რ-იც საბოლოოდ ახმობს მცენარეს. კორპის მომცემ მუხად მიიჩნევენ აგრეთვე დ ა ს ა ვ ლ უ რ მ უ ხ ა ს (Q. occidentalis), რ-ის სამშობლოა სამხრ. პორტუგალია და საფრანგეთი. საქართველოში, ისევე როგორც კავკ. ჩრდ. ნაწილში, პერსპექტიულად მიჩნეულია Q. variabilis. *ი. აბაშიძე.*

კორპის ხე ა მ ბ ო ი ნ ა, ხე ტეგანისებრთა ოჯახისა; *ბაევრდის ხის* ერთ-ერთი სახეობა.

კორპორაცია (გვიანდ. ლათ. corporatio—გაერთიანება), 1. შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული გაერთიანება ხელოსნების, ვაჭრების (ამქრების, გილდიების). საფრ. დიდმა რევოლუციამ მოსპო ამქრული კ-ები, რ-თა მონოპ. მდგომარეობა ზღუდავდა ბურჟ. საზ-ბის საწარმოო ძალების განვითარებას. 2. ამა თუ იმ მიზნით გაერთიანებულ პირთა ჯგუფი, რ-იც სამართ. დამოუკიდებელ სუბიექტს—*იურიდიულ პირს* ქმნის. „კ". უფრო დამახასიათებელია ინგლ.-ამერ. სამართლისათვის. აშშ-ში არსებობს საჯარო კ-ები, რ-თაც იურიდ.



კორონოგრაფი. ლიოს დაბნელებაგარეშე კორონოგრაფი. ობიექტივი (1) აგებს მზის გამოსახულებას ლითონის დისკოზე (2), რომელიც ქმნის მზის ხელოვნურ დაბნელებას. მთავარი ობიექტივის ნაპირებზე დიფრაქციით გამოწვეული გაბნეული სინათლის მოსაცილებლად ლითონის ეკრანის მიღმა იდგმება ლინზა (3). ის აგებს ობიექტივის გამოსახულებას საკმაოდ მცირეზომიან დიაფრაგმაზე (4), რომელიც არ ატარებს ობიექტივის კიდეების გამოსახულებას. ობიექტივი (5) აგებს დასაკვირვებელი ობიექტის საბოლოო გამოსახულებას სპექტროგრაფის ჭვრიტეზე ან ფოტოფირზე (7). უკანასკნელ შემთხვევაში სინათლე გადის ინტერფერენციულ-პოლარიზაციულ ფილტრში (6), რომელიც მოაცილებს ყველა სხივს, გარდა მზის მიერ გამოსხივებული რომელიმე სპექტრული ხაზისა.

კორპის მუხის ტოტი.

დ. კორჟინსკი.

კორსაკი.

პირის უფლება აქვთ (მაგ., მუნიციპალიტეტი ითვლება საჯარო კ-დ). აშშ-ში კერძო კ-ები შეესაბამება დას. ევრ. ქვეყნების სააქციო საზ-ბებს.

კ., როგორც მონოპ. სააქციო გაერთიანების ფორმა, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შედეგად ფართოდ გავრცელდა. აშშ-ში თავდაპირველად კ. აღმოცენდა XIX ს. შუა ხანებში. XX ს. დასაწყისში კ. კაპიტალ. საწარმოების მთავარ ფორმად იქცა. თანამედროვე პირობებში კ-ს გაბატონებული მდგომარეობა უკავია აშშ-ის მეურნ. ყველა დარგში. მათზე მოდის დამმუშ. მრეწვ. შემოსავლის 98%, ტრანსპ. და კავშირგაბმ. — 93%. საშინაო ვაჭრობის — 76%.

კორპუსი (ლათ. corpus—სხეული; მთლიანობა), უმაღლესი საერთო-საჯარისო შენაერთი სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა სახმელეთო ჯარებში. კ-ში, ჩვეულებრივ, რამდენიმე დივიზია შედის, რ-თა რაოდენობა მუდმივი არ არის. საბრძოლო მოქმედების დროს კ. საველე არმიის შემადგენლობაში შედის ან დამოუკიდებლად მოქმედებს. კ. შეიძლება იყოს საარმიო, მსროლელი, სატანკო, საავიაციო და სხვ. კ., როგორც საერთო-საჯარისო შენაერთი, რუსეთში პირველად პეტრე I-ის დროს, XVIII ს. დასაწყისში, გაჩნდა, საფრანგეთში — 1805, პრუსიაში — 1816.

„კორპუს იურის ცივილის“ (ლათ. Corpus juris civilis), რომის სამოქალაქო სამართლის კრებული, რ-იც შეადგინეს ბიზანტ. იმპ. იუსტინიანეს ბრძანებით 528—34. საკოდიფიკაციო კომისიას ტრიბონიანე ხელმძღვანელობდა. კრებ. სახელმწ., სისხლისა და საპროცესო სამართ. ნორმებსაც შეიცავს. იუსტინიანეს კოდიფიკაცია 4 ნაწილისაგან შედგება: 1. ინსტიტუციები — რომის სამართ. სახელმძღვანელო, რ-საც კანონის ძალა ჰქონდა მინიჭებული. მისი ძირითადი წყაროა II ს. რომაელი იურისტის *გაიუსის* თხზულება. 2. დიგესტები ანუ პანდექტები — კრებულის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, შეიცავს ამონაწერებს 40 გამოჩენილი რომაელი იურისტის (ულპიანეს, პაულუსის და სხვ.) 1500-ზე მეტი წიგნიდან. დიგესტების ზოგიერთი ნაწილი შეიცავს *ინტერპოლაციებს*. 3. იუსტინიანეს კოდექსი — შეიცავს იმპერატორების განკარგულებებს, რ-ებიც გამოცემული იყო კრებულის შედგენამდე და აგრეთვე თვითონ იუსტინიანეს მიერ. 4. ნოველები — იუსტინიანესა და შემდგომი იმპერატორების განკარგულებანი, რ-ებიც გამოსცეს კოდექსის შედგენის შემდეგ. ნოველები ოფიც. კრებულად არ გამოუციათ, იგი შეადგინეს კერძო პირებმა. კრებ. სულ 168 ნოველას შეიცავს. იუსტინიანეს კოდიფიკაციას სახელი „კორპუს იურის ცივილის“ XII ს-ში დაერქვა. კოდიფიკაციის დანიშნულება ის იყო, რომ ბიზანტ. იმპერიაში როგორმე შეენარჩუნებინა მონათმფლობელური წყობილება და იმპერატორის განუსაზღვრელი ძალაუფლება. *ი. დოლიძე.*

კორპუს-კრისტი (Corpus Christi), ქალაქი აშშ-ის სამხრ. ნაწილში, ტეხასის შტატში. ნავსადგური მექსიკის ყურეში, მდ. ნუესესის შესართავთან. 300 ათ. მკხ. (გარეუბნებიანად, 1975). სატრანსპ. და სავაჭრო ცენტრი. ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. განვითარებულია ნავთობგადასამუშ., ქიმ., კვების მრეწველობა, ფერადი მეტალურგია (მ. შ. ალუმინის ქ-ნა). თევზჭერა. კ.-კ. საკურორტო ქალაქია.

კორჟენევსკაიას პიკი, ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი მეცნიერებათა აკადემიის ქედის ჩრდ.-დას. შტოქედზე, ტაჯ. სსრ-ში, მუშკეტოვის მყინვარის სათავეში (მდ. მუქსუს აუზი). სიმაღლე 7105 *მ*. აღმოაჩინეს 1910. სახელი ეწოდა საბჭ. მკვლევრის ნ. კორჟენევსკის მეუღლის ე. კორჟენევსკაიას პატივსაცემად.

კორჟენევსკის მყინვარი, ხეობის მყინვარი იმიერალაის ქედის ჩრდ. კალთაზე, ლენინის პიკის აღმ-ით, მდ. ჯანაიდართაქის (მდ. ყიზილსუს აუზი) სათავეებში, ყირგ. სსრ-ში. სიგრძე 19,5 *კმ*-მდე, ფართ. 89,1 *კმ*². მყინვარი ეშვება 3800 *მ* სიმაღლემდე. აღმოაჩინა საბჭ. მკვლევარმა ნ. კორჟენევსკიმ 1928.

კორჟინსკი დიმიტრი სერგის ძე [დ. 1 (13). IX. 1899, პეტერბურგი], საბჭ. გეოლოგი; პეტროგრაფიის, გეოქიმიისა და მადნეულ საბადოთა გეოლოგიის სპეციალისტი, ფიზ.-ქიმ. პეტროლოგიისა და ფიზ. გეოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1969). 1926 დაამთავრა ლენინგრ. სამთო ინ-ტი. მუშაობდა გეოლ. კომიტეტში, შემდეგ საკავშირო გეოლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1937-იდან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. ინ-ტებში. 1969-იდან სსრკ მეცნ. აკად. ექსპერ. მინერალოგიის ინ-ტის დირექტორია. კ-მ შეისწავლა ყაზ., აღმ. ციმბ., ურალისა და შუა აზიის გეოლოგია და მინერ. საბადოები; დაამუშავა მინერალთწარმოქმნის ფიზ.-ქიმ. თეორიის საფუძვლები.

კ. საზღვარგარეთის მრავალი აკადემიისა და საზ-ბის წევრია. მინიჭებული აქვს ლენინური პრემია (1958), სსრკ სახელმწ. პრემია (1946), ა. კარპინსკის სახ. პრემია (1949). მიიღო ე. ვერნადსკის ოქროს მედალი (1972). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და ორი სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით. კ-ს სახელი ეწოდა მინერალ კორჟინსკიტს ($CaB_2O_4 \cdot H_2O$).

კორსაკასი კოსტას [დ. 5 (18). X. 1909, პაშვიტინისი, ახლანდ. პაკრუოის რ-ნი], ლიტველი საბჭ. პოეტი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე. ლიტვ. სსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1959). ლიტვ. სსრ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1949). კ-ს ეკუთვნის ლექსების კრებულები „ბრძოლის კანონი“ (1943), „ბრუნდებიან ჩიტები“ (1945), წიგნები „სტატიები ლიტერატურის შესახებ“ (1932), „ლიტერატურა და კრიტიკა“ (1949), „ლიტერატურათა მეგობრობა“ (წგნ. 1, 1962) და სხვ. იყო ლიტვ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რის მოადგილე (1959—63).

კორსაკი (Vulpes corsak), მტაცებელი ძუძუმწოვარი ძაღლისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძე 50—60 *სმ* აღწევს. აქვს წვრილი დინგი, დიდი, ფუძესთან გაფართოებული ყურები, წითურ-ნაცრისფერი ზურგი, მოთეთრო მუცელი. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპასა და აზიაში, სსრკ-ში — ჩრდ. კავკასიიდან იმიერბაიკალამდე, ჩრდ-ით — ჩრდ. გ. 50°-მდე. ბინადრობს ველებსა და ნახევრადუდაბნოებში. იკვებება უმთავრესად წვრილი მღრღნელებით, აგრეთვე ფრინველებით, ქვეწარმავლებით, მწერებით. სარეწაო ცხოველია. სარგებლობა მოაქვს მავნე მღრღნელების განადგურებით.

კორსაკოვი სერგეი სერგეის ძე [22. I (3. II). 1854, გუს-ხრუსტალნი, —1 (14). V. 1900, მოსკოვი], რუსი ფსიქიატრი, მოსკ. ფსიქიატრიული სკოლის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე. 1875 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1892-იდან მოსკ. უნ-ტის პროფესორი და ფსიქონევროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელი იყო. 1887 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ალკოჰოლური დამბლა“, რამაც მას მსოფლიო აღიარება მოუპოვა. კ-ის მიერ აღწერილ პოლინევრიტულ ფსიქოზს „კორსაკოვის ფსიქოზი“ (იხ. *ალკოჰოლური ფსიქოზები*) უწოდეს. კ. ფსიქიატრიაში ნოზოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელია; ავტორია კლასიკური ნაშრომისა „ფსიქიატრიის კურსი“ (1893), აღწერა შიზოფრენიის, როგორც ცალკე დაავადების, კლინიკა. კ. მოსკ. ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზ-ბის დამაარსებელია; მისი ინიციატივით დაარსდა აგრეთვე რუსეთში პირველი „ნევროპათოლოგიისა და ფსიქიატრიის“ ჟურნალი (1901). რ-იც ამჟამად კ-ის სახელს ატარებს. პიროგოვის ექიმთა საზ-ბის მმართველობის თავ-რე. კ-ის სახელი მიენიჭა (1949) ი. სეჩენოვის სახ. მოსკ. I სამედ. ინ-ტის ფსიქიატრიულ კლინიკას.

თხზ. : Избр. произв., М., 1954 (ბიბლიოგრ.); Курс психиатрии, 3 изд., т 1—2, М., 1913.

ლიტ. : Эдельштейн А. О., С. С. Корсаков, М., 1948 (ბიბლიოგრ.)

კორსარი (იტალ. corsaro), ზღვის ჯაჭაღი, მეკობრე. თავდაპირველად (დაახლ. XIV ს-იდან) კ-ს უწოდებდნენ ჩრდილოაფრიკელ ზღვის ყაჩაღებს, მოგვიანებით ტერმინმა ფართო მნიშვნელობა მიიღო და „პირატისა“ და „კაპერის“ სინონიმი გახდა.

კორსევი, სამხრ. ოსეთის აო ჯავის რ-ნის სოფლების *ზემო კორსევისა* და *ქვემო კორსევის* ძვ. სახელწოდება.

კორსიკა (Corse), კუნძული ხმელთაშუა ზღვის ჩრდ. ნაწილში. საფრ. დეპარტამენტი. ფართ. 8,7 ათ. *კმ*². მოსახლ. 218 ათ. მკხ. (1972). გადაჭიმულია ჩრდ-ადან სამხრ-კენ 183 *კმ*-ზე; სიგანე 85 *კმ*-მდე. ნაპირი კლდოვანია, ციცაბო და დანაწევრებული, აღმ. — ბრტყელი, დაბალი და ჭუჭტად დანაწევრებული. უმთავრესად აგებულია გრანიტებით (დას.) და თიხაფიქლებით (აღმ.). მაქს. სიმაღლე 2710 *მ*-მდეა (მთა მონ-სენტო). ჰავა ხმელთაშუა ზღვისაა. იანვ. საშ. ტემპ-რა 12—13°C, ივლ. 24—26°C. ნალექები ბარში 600 *მმ*, მთაში 1000—1200 *მმ* წელიწადში. მთის კალთებზე 600—700 *მ* სიმაღლემდე გაბატონებულია მაკვისის ფორმაცია, 1000—1200 *მ*-მდე წაბლნარი და მუხნარია, 1900 *მ*-მდე — წიფლნარი, ფიჭვნარი, მურყნარი, 1900 *მ*-ზე მაღლა სუბალპ. და ალპ. მცენარეულობაა. განვითარებულია სუბტროპ. სოფ. მეურნ., მევენახეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა. ტურიზმი. მთავარი ქალაქი და ნავსადგურია აიაჩო.

ძველად კ. დასახლებული იყო იბერიული და ლიგურიული მოდგმის ტომებით. ძვ. წ. III—II სს-ში დაიპყრეს რომაელებმა. ახ. წ. VI—VIII სს-ში ეკუთვნოდა ბიზანტიას. 1347 კ-ზე გენუელები დამკვიდრდნენ. 1729 კორსიკელები აჯანყდნენ გენუელების ბატონობის წინააღმდეგ და 1769-მდე იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ დამარცხდნენ. კომპიენის კონვენციით (1764) და ვერსალის ხელშეკრულებით (1768) გენუამ კ. საფრანგეთს დაუთმო. 1796 კ. საბოლოოდ შეუერთდა საფრანგეთს. 1942 ნოემბ. კ. ოკუპირებული იყო იტალია-გერმ. ფაშისტური ჯარების მიერ. 1943 წ. 8—9 სექტ. კ-ზე ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი აჯანყება დაიწყო. 13—17 სექტ. კ-ზე გადასახლდნენ „მებრძოლი საფრანგეთის“ შეიარაღებული ძალები. 4 ოქტ. კ. მთლიანად გათავისუფლდა. 1958 პოლიტ. კრიზისის დროს კ-ზე ძალაუფლება აიღეს საფრ. „ულტრებმა“, რამაც ხელი შეუწყო მეოთხე რესპუბლიკის დაცემას.

კ-ზე, ქ. აიაჩოში, დაიბადა *ნაპოლეონ I*.

კორსიკელები, კ. კორსიკაზე მცხოვრები ხალხი. რაოდ. 310 ათ. კაცი (1975, შეფასება), ოფიც. ენა — ფრანგული. ლაპარაკობენ იტალ. ენის 2 დიალექტზე — ჩიზმონტანურსა და ოლტრემონტანურზე. მორწმუნე კ. კათოლიკეები არიან. მისდევენ მეცხოველეობას (ცხვარი, თხა), მიწათმოქმედებას (ზეთისხილი, ვაზი, მარცვლეული, ბოსტნეული), თევზჭერასა და ხელოსნობას. მატერ. კულტურითა და ტრადიციებით ახლო დგანან იტალიელებთან, განსაკუთრებით სარდინიელებთან. კორსიკაზე ფრანგ. ენისა და კულტურის შეჭრა XVIII ს. დასასრ. დაიწყო, როდესაც კუნძული საბოლოოდ შევიდა საფრ. შემადგენლობაში (1796).

კორსიკის სრუტე, სრუტე კ. კორსიკასა და ტოსკანის არქიპელაგს შორის. აკავშირებს ტირენისა და ლიგურიის ზღვებს.

სიგანე 75 *კმ*, სიღრმე 500 *მ*-ზე მეტი. ნავსადგური — ბასტია (კ. კორსიკა).

კორსუნ-შევჩენკოვსკი (1944-მდე კორსუნი; ჰ.-შ. ეწოდა ტ. *შევჩენკოს* პატივსაცემად), ქალაქი უკრ. სსრ ჩერკასის ოლქში, მდ. როსის (დნეპრის შენაკადი) ნაპირზე. კორსუნ-შევჩენკოვსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. კორსუნი. მატიანეთა მიხედვით, 1032 დააარსა იაროსლავ ბრძენმა. 1240 დაანგრია ბათოყაენმა. 1584 კორსუნში აიგო ციხესიმაგრე. 1648 კორსუნის მახლობლად ბოგდან ხმელნიცკის ჯარმა დაამარცხა პოლონელთა არმია. 1793 შეუერთდა რუსეთს. 1941—45 დიდი სამამულო ომის დროს ჰ.-შ-ის რ-ნში საბჭ. ჯარებმა ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს მტრის 80-ათასიანი დაჯგუფება (იხ. *კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაცია 1944*). 1944 წ. 14 თებ. ქალაქი საბჭ. არმიამ გაათავისუფლა.

ჰ.-შ-ში არის ჩარხთსაშენი, მექან., სარემონტო, საშენ მასალათა, ასფალტის, სიმინდის საკალიბრო, კარაქის, ხილსაკონსერვო და სხვა ქ-ნები, ღვინის კომბინატი, სამკერვალო, წნული ნაკეთობების ფ-კები. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები. პედ. და სამედ. სასწავლებლები. ისტ. მუზეუმი.

კორსუნ-შევჩენკოვსკის ოპერაცია 1944, უკრაინის I (სარდალი არმიის გენ. ნ. ვატუტინი) და II (სარდალი არმიის გენ. ი. კონევი) ფრონტების ჯარების შეტევითი ოპერაცია 1944 წ. 24 იანვ.—17 თებ., დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს. ოპერაცია მიზნად ისახავდა კორსუნ-შევჩენკოვსკის შვერილზე თავმოყრილი გერმ. ფაშისტთა ჯარების დაჯგუფების გარემოცვასა და განადგურებას. ოპერაციის დასაწყისში საბჭ. ჯარების შემადგენლობაში იყო 27 მსროლელი დივიზია, 1 მექანიზებული და 4 სატანკო კორპუსი (255 ათ. კაცი; 5300 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 513 ტანკი და თვითმავალი საარტ. დანადგარი), 772 საბრძოლო თვითმფრინავი, მოწინააღმდეგეს ჰყავდა 14 დივიზია (მ. შ. 3 სატანკო) და მოტობრიგადა (170 ათ. კაცი; 2600 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 310 ტანკი და საიერიშო ქვემეხი), 1000 საბრძოლო თვითმფრინავი. უკრ. I და II ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლი, 28 იანვ. შეერთდნენ ზვენიგოროდკის რ-ნში და ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს გერმ. ფაშისტთა ჯარების 80-ათასიანი დაჯგუფება. ჰ.-შ. ო-ის წარმატებამ პირობები შექმნა მარჯვ. ნაპირის უკრაინის საპოლოო განთავისუფლებისათვის.

კორტანეთი, სოფელი ბორჯომის რ-ნში (ყვიბისის სოფსაბჭო), ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 820 *მ*, ბორჯომიდან 9 *კმ*. ზანავ-რველის ი. სტალინის სახ. კოლ-ბა (მებოსტნეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა, კლუბი (კინოდანადგარი).

კორტესი (Cortés) ერნან (1485 — 2. XII. 1547), ესპანელი კონკისტადორი, მექსიკის დამპყრობი. დაიბადა ხელმოკლე აზნაურის ოჯახში. სწავლობდა სალამანკის უნ-ტში. 1504—19 მსახურობდა მოხელედ და ფლობდა ენკომიენდებს ვესტინდოეთში (სანტო-დომინგო, კუბა). 1519—21 მეთაურობდა დამპყრობლურ ლაშქრობას მექსიკაში. ამ ლაშქრობის შედეგად მექს. ცენტრ. ნაწილში დამყარდა ესპანელთა ბატონობა. მექს. დაპყრობის დროს ჰ-მა ინდიელთა მიმართ საშინელ სისასტიკესა და ვერაგობასთან ერთად დიდი პოლიტ. და სამხ. ნიჭი გამოიჩინა. 1522—28 იყო ახ. ესპ. (მექსიკის) გუბერნატორი და გენ.-კაპიტანი, 1529-იდან—გენ.-კაპიტანი. 1540 დაბრუნდა ესპანეთში.

კორტესი [ესპ. cortes(მრ. რ.)<corte—სამეფო კარი], წოდებრივ-წარმომადგენლობითი კრება შუა საუკუნეების ესპანეთსა და პორტუგალიაში (პირველი დას. ევროპაში), შემდეგ — პარლამენტი (პორტუგალიაში 1911-მდე). სახელწოდება „ჰ." პირველად გვხვდება კასტილიაში 1137. წარმოიქმნა სამეფო კურიებისაგან, რ-მიც თავდაპირველად შედიოდნენ მხოლოდ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. მოგვიანებით ქალაქებმაც მიიღეს წარმომადგენლობითი უფლება ჰ-ში. ჰ-ს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა XIII—XIV სს-ში; ხელს უწყობდა ქალაქების გავლენის ზრდას და ზღუდავდა ფეოდ. თვითნებობას. აბსოლუტიზმის დამყარების შემდეგ ჰ-ის მნიშვნელობა დაეცა. ჰ. აღორძინდა XIX ს. ესპანეთის რევოლუციების დროს, როცა მას ახალი — ბურჟ. პარლამენტის — მნიშვნელობა მიენიჭა (იხ. აგრეთვე *ესპანეთი*, სახელმწიფოებრივი წესწყობილება).

კორტი (ინგლ. court), *ზოგბურთის* სათამაშო მოედანი.

კორტი, სოფელი ამბროლაურის რ-ნში (ველევის სოფსაბჭო), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხოტეურის (რიონის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1040 *მ*, ამბროლაურიდან 8 *კმ*. ველევის კოლ-ბა (მემინდვრეობა, მეცხოველეობა). რვაწლ. სკოლა სოფ. ველევში (4 *კმ*). ბ-ჯა, მედპუნქტი.

სოფლის თავდაპირველი სახელწოდებაა კვირიკეწმინდა (წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII—XIV სს-ში). შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ორი ძეგლი — ეკლესია და კოშკი. კვირიკეწმინდის ეკლესია სამნავიანი ბაზილიკური ნაგებობაა. შუა ნავი მაღალია და განიერი, გვერდის ნავები კი — დაბალი და ვიწრო. კედლები შემოსილია თლილი თეთრი ქვით. შიგა და გარე საპირეებს შორის სივრცე შევსებულია კირის დულაბით. წყობაში აქა-იქ გამოყენებულია შირიმის ქვაც. ჩუქურთმის ხასიათითა და ლაპიდარული წარწერის მიხედვით, ძეგლი X—XI სს-ით თარიღდება.

ეკლესიის მახლობლად მთის წვერზე კოშკის ნანგრევებია. შემორჩენილია სამი სართული. ნაგები იყო კარგად დამუშავებული ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. კოშკის მახლობლად შეინიშნება სხვა ნაგებობათა ნაშთიც. *მ. დვალი. თ. ბერაძე.*

კორტიზონი $C_{21}H_{28}O_5$, ერთ-ერთი აქტიური *კორტიკოსტეროიდი.* უფერული კრისტალებია, $t_{დ}$ 215°C. ცუდად ეხსნება ორგ. გამხსნელებში. მიღებულია თირკმელზედა ჯირკვლის ექსტრაქტისაგან. ჰ-ის ქიმ. აგებულება დაადგინა შვეიც. ქიმიკოსმა ტ. რაიხშტაინმა (1936—40), რაც შემდეგ ჰ-ის სრული სინთეზით დამტკიცდა. ადამიანისა და ცხოველების სისხლში ჰ. მცირე რაოდენობით გამოიყოფა თირკმელზედა ჯირკვლებიდან. ბიოლ. მოქმედებით ჰ. *გლუკოკორტიკოიდების* ჯგუფს განეკუთვნება; ასტიმულირებს ცილებიდან ნახშირწყლების სინთეზს, თრგუნავს ლიმფოიდურ ორგანოებს, შედარებით სუსტად მოქმედებს მინერ. ცვლაზე. ჰ-ის აცეტატს, როგორც ჰორმონულ პრეპარატს, იყენებენ თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის უკმარისობის დროს, ხოლო როგორც ანთების და ალერგიის საწინააღმდეგო საშუალებას — რევმოკარდიტის, პოლიართრიტის, ბრონქული ასთმისა და სხვ. დროს. თანამედროვე სამედ. პრაქტიკაში ჰ. თითქმის აღარ იხმარება; ის შეცვალა უფრო ეფექტურმა სინთეზურმა კორტიკოსტეროიდებმა.

კორტიკო-ვისცერალური ურთიერთობანი (ლათ. cortex — ქერქი და viscera — შიგნეულობა), *თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების* ქერქსა (დნქ) და შინაგან ორგანოებს (შო) შორის არსებული ფუნქციური ურთიერთობა. XIX ს. დასასრ. აღმოაჩინეს, რომ ქერქის გარკვეულ ზონებზე ზემოქმედებისას იცვლება სუნთქვა, მაჯისცემა, ნაწლავებისა და შარდის ბუშტის მოტორიკა და სხვ. დაადგინეს, რომ შო, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ დნქ-ზე. შო-სა და სისხლძარღვების რეფლექტორული რეგულაცია ვისცერორეცეპტორების მონაწილეობით ხდება. ჰ.-ვ. ურ-თა თეორიის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა დნქ-ში შინაგან ორგანოთა საპროექციო ზონების დადგენა. ბოლო წლების გამოკვლევებში მიუთითებენ, რომ წარმოდგენებს ჰ.-ვ. ურ-თა შესახებ გადასინჯვა სჭირდება. თანამედროვე წარმოდგენებით საეჭვოა, რომ დნქ უშუალოდ მონაწილეობდეს ორგანიზმში მიმდინარე ყველა პროცესის რეგულაციაში. უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს აგრეთვე ცენტრ. ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილების (განსაკუთრებით ჰიპოთალამუსის) როლი ჰ.-ვ. ურ-თა განხორციელებაში.

ლიტ.: Быков К. М., Курцин И. Т., Кортико-висцеральная патология, Л., 1960; Черниговский В. Н., Нейрофизиологический анализ кортико-висцеральной рефлекторной дуги, Л., 1967. *ა. კეშელი.*

კორტიკოსტეროიდები, ტეტრაციკლური, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რ-თაც გამოიმუშავებს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრე. თირკმელზედა ჯირკვალში აღმოჩენილია კორტიკოსტეროიდული ბუნების 40-მდე ნაერთი, რ-თაგან ბიოლოგიურად აქტიურია 8. ჰ-ს განეკუთვნება ჰორმონები ალდოსტერონი, ჰიდროკორტიზონი, კორტიკოსტერონი, კორტიზონი და სხვ. ორგანიზმში ჰ. წარმოიქმნება *ქოლესტერინისაგან*, მათი სეკრეციის რეგულაცია ხდება ტვინის დანამატის (ჰიპოფიზის) ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონებით. ჰ-ის ნაკლებობა იწვევს ადისონის სნეულებას, ხოლო სიჭარბისას ვლინდება იცენკო-კუშინგის სნეულების სიმპტომები. *დ. ჯოხაძე.*

მედიცინაში ჰ. იხმარება ანთებისა და *ალერგიის* საწინააღმდეგო საშუალებად მრავალი დაავადების დროს. იყენებენ აგრეთვე ჰ-ის სინთეზურ დეჰიდრო-, ოქსი-, ჰალოგენ ჰ-ს და ჰ-ის მეთილწარმოებულებს (პრედნიზონი, დექსამეტაზონი, თრიამსინოლონი, სინალარი და სხვ.), რ-თაც უფრო ძლიერი ბიოლ. აქტივობა და ნაკლებად გამოხატული გვერდითი მოვლენები აქვთ.

კორტიკოტროპინი, ჰორმონი, რ-საც გამოიმუშავებს *ჰიპოფიზის* წინა ნაწილი; აწესრიგებს *თირკმელზედა ჯირკვლების* ქერქოვანი შრის ფუნქციებს. იგივეა, რაც *ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი.*

კორტის ორგანო, ადამიანისა და ძუძუმწოვრების შიგნითა ყურის ლოკოკინის ნაწილი, რ-იც შეიცავს ბგერის შემგრძნობ (ფონორეცეპტორულ) უჯრედებს და, ამრიგად, სმენის ანალიზატორის პერიფერიულ ნაწილს წარმოადგენს. პირველად აღწერა იტალ. მეცნიერმა ა. კორტიმ. ჰ. ო-ს ნერვულ აპარატს შეადგენს ბეწვებიანი რეცეპტორული უჯრედები და მათზე შემოხვეული ნერვული დაბოლოება (ლოკოკინის ნერვის ტოტი). რეცეპტორული უჯრედები ჩართულია რამდენიმე სახის საყრდენ ეპითელიუმურ უჯრედებს შორის. უჯრედების ზედაპირს ეკერის დაცხრილული აპკი, რ-ის ხვრელებში რეცეპტორული უჯრედების ბეწვებია ამოჩრილი, ზემოდან კი მფარავი ფირფიტა ეფარება. საყრდენი უჯრედები ფუძით ემაგრებიან ე. წ. ფუძის ფირფიტას, რ-იც შეიცავს განივად დაჭიმულ სარეზონანსო ბოჭკოებს (რადგანაც ლოკოკინა დასაწყისიდან ბოლოსკენ თანდათან ვიწროვდება, ამ ბოჭკოების სიგრძეც თანდათან იკლებს და თითოეული მათგანი სხვადასხვა ტონის ბგერაზე რეზონირებს). ჰ.



კორტის ორგანოს განივი ჭრილი: 1 — მფარავი მემბრანა; 2 — ბადისებური მემბრანა; 3 — რეცეპტორული უჯრედები; 4 — დიატერსის უჯრედები; 5 — სვეტისებური უჯრედები; 6 — პანზენის უჯრედები; 7 — კლაუდიუსის უჯრედები; 8 — კორტის გვირაბი; 9 — ლოკოკინის ნერვის ტოტები; 10 — ფუძის მემბრანა; 11 — რაისნერის მემბრანა.



კორუნდის კრისტალების ფორმები

გ. კორძახია. ვ. მაიაკოვსკის ძეგლი. ბრინჯაო. 1952. მოსკოვი. 1979. თბილისი.

ფრანჩესკო დელ-კოსა. „იოანე ნათლისმცემელი". სან-პეტრონიოს ეკლესიის გრიფონის კაპელა. საკურთხეველის კარედი. ბოლონია. 1473. ბრერის პინაკოთეკა. მილანი.

ო-ში ხდება ბგერითი რხევების ტრანსფორმაცია ნერვულ აგზნებად, რაც რეცეპტორული უჯრედების მექანიკური გაღიზიანებით (მეორე თვალსაზრისის თანახმად — მათი ქიმ. გაღიზიანებით და დეპოლარიზაციით) ხორციელდება. იხ. *სმენა*.

კორტონა (Cortona) პიეტრო და, იხ. *პიეტრო და კორტონა*.

კორტოხი, უღელტეხილი ლიხის ქედზე, მდ-ების ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ზემო დინებისა და ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფზე. სიმაღლე 1130 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანატოიდებით. კ-ის მიდამოები შემოსილია მუხნარ-რცხილნარ-წიფლნარით. კ-ზე გადადის საცალფეხო გზა ზნაურის რ-ნიდან საჩხერის რ-ნში.

გ. დევდარიანი.

კორტოხი, სოფელი აჭარის ასსრ ხულოს რ-ნში (დიოკნისის სოფსაბჭო), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1120 *მ*, ხულოდან 12 *კმ*. კოლ-ბა (მეთამბაქოეობა). საშ. და საღამოს დაუსწრებელი სკოლები, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო-სამეანო პუნქტი.

კორუმბა (Corumbá), ქალაქი ბრაზილიაში, მატუ-გროსუს შტატში, ბოლივიის საზღვართან. 81,8 ათ. მცხ. (1970). ნავსადგური მდ. პარაგვაიზე. აღმ. ბოლივიისა და დას. ბრაზილიის რ-ნების სავაჭრო-განმანაწილებელი ცენტრი. რკინიგზის სადგური, საავტ. გზების კვანძი. საფეიქრო, კვების, მანქანათსაშ. მრეწველობა. გემთსაშენი. კ-ის მახლობლად იღებენ რკინისა და მანგანუმის მადანს. ქალაქი დაარსდა 1770.

კორუნდი (გერმ. Korund<სანსკრ. კურუვინდა — იაგუნდი), ჟანგეულების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა Al_2O_3. კრისტალდება ტრიგონურ სინგონიაში. წარმოქმნის საშუალო და წვრილკრისტალურ აგრეგატებს. კრისტალები შედარებით იშვიათია. ჩვეულებრივ, მურა-ნაცრისფერი ან მონაცრისფრო-მოცისფრო. სიმაგრე მინერალოგიური სკალით 9; სიმკვრივე 3950—4100 *კგ/მ*³. ქიმიურად მეტად მდგრადია, აქვს ლღობის მაღალი ტემპ-რა (2020—2050°C). კ-ის საბადოები ცნობილია სსრკ-ში (ყაზახეთი, ურალი), საზღვარგარეთ — აფრიკაში, ინდოეთში, ბირმაში, საბერძნეთსა და თურქეთში და სხვ. კ-ის გაუმჭვირვალე მარცვლოვან აგრეგატებს იყენებენ აბრაზიული იარაღის დასამზადებლად და ცეცხლგამძლე მასალად. ხელოვნური კ-ის მასალას ღებულობენ ელექტროლუმლებში ბოქსიტის აღმდგენთან ერთად დნობის შედეგად. ფხვნილთა მეტალ. მეთოდით მათგან ამზადებენ საჭრისებს. სხვადასხვა ფერის მონოკრისტალურ გამჭვირვალე კ-ს ღებულობენ თიხამიწის ჟანგბად-წყალბადის აღში დნობისა და რეკრისტალიზაციის შედეგად. მათ იყენებენ საიუველირო ნაკეთობათა დასამზადებლად, აგრეთვე ზუსტ ხელსაწყოებში (საათი და სხვ.). შეფერილი გამჭვირვალე ბუნებრივი კრისტალები (წითელი და ყვითელი *იაგუნდი*, ლურჯი *საფირონი* და სხვ.) ძველთაგანვე ცნობილია როგორც I კლასის ძვირფასი ქვები.

კორუფცია (ლათ. corruptio — მოსყიდვა), თანამდებობის პირის დანაშაულებრივი გამდიდრება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. კ-დ ითვლება აგრეთვე თანამდებობის პირის მოსყიდვა. დამახასიათებელია ექსპლუატატორული საზ-ბისთვის. განსაკუთრებით გავრცელდა იმპერიალ. სახელმწიფოებში. კ-ს ზოგჯერ საერთაშ. რეზონანსი აქვს; მაგ. 1975—76 გამოაშკარავდა, რომ ამერ. ავიაკონცერნი „ლოკჰიდი" დიდ ქრთამს აძლევდა სხვადასხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირებს, თვით პრემიერ-მინისტრსაც (იაპონია).

ბურჟ. კანონმდებლობის მიხედვით, კ. სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, ფაქტობრივად კი იგი ხშირად დაუსჯელი რჩება.

კორუფის ყურე, ყურე ბერინგის ზღვაში, გოვენისა და ილპირის ნ.-კ-ებს შორის (კამჩატკის ნ.-კ.). სიგრძე 75 *კმ*, სიგანე დაახლ. 70 *კმ*. ნაპირები მაღალი აქვს. სიღრმე 20—68 *მ*. ზამთარში ნაპირებთან იყინება. მოქცევა არასწორი ნახევარდღეღამური, სიმაღლე 2 *მ*. ყურეში გვხვდება მარჯენი და ვეშაპები. თევზჭერა. დასახლ. პუნქტებია: კორფი, ტილიჩიკი და სხვ. სახელი ეწოდა ამურის მხარის პირველი გენერალ-გუბერნატორის ა. კორფის პატივსაცემად.

კორფუ (Corfu), ბერძნული კუნძულისა და ქალაქის კერკირის იტალიური სახელწოდება.

კორშა, სოფელი დუშეთის რ-ნში (ბარისახოს სოფსაბჭო), მდ. ხევსურეთის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ*, დუშეთიდან 65 *კმ*. მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველას სახ. კოლ-ბა (მეცხოველეობა). საშ. სკოლა-ინტერნატი სოფ. ბარისახოში (1 *კმ*).

კორშაკი ვასილი ვლადიმერის ძე [დ. 27 XII. 1908 (9. I. 1909), ვისოკოე, ახლანდ. ჩერნიგოვის ოლქი], საბჭ. ქიმიკოსი; სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1976). სკკპ წევრი 1940-იდან. დაამთავრა დ. მენდელეევის სახ. მოსკ. ქიმ.-ტექნოლ. ინ-ტი (1931). კ-ის ძირითადი შრომები ეძღვნება პოლიკონდენსაციის რეაქციებს. კ-მა აღმოაჩინა პოლიმერების სინთეზის ახ. რეაქციები (პოლირეკომბინაციის, პოლიგადაარილირების, პოლიციკლოკონდენსაციის). შეიმუშავა თერმომდგრადი პოლიმერების სინთეზის მეთოდები. აღმოაჩინა ნახშირბადის მესამე ალოტროპიული ფორმა — კარბინი. ჟურნალ „Высокомолекулярные соединения"-ს მთავარი რედაქტორი (1972-იდან). სახელმწ. პრემია (1949 და 1951), დაჯილდოებულია 4 ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Химия высокомолекулярных соединений, М.—Л., 1950.

კორშის თეატრი, რუსული დრამატული თეატრი, უდიდესი კერძო თეატრი რუსეთში. დააარსა ანტრეპრენიორმა თ. კორშმა 1882. პირველ სპექტაკლად აჩვენეს გოგოლის „რევიზორი". კ. თ-ის სცენაზე სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ პ. ორლენევი, ვ. დავიდოვი, ი. მოსკვინი, მ. ივანოვ-კოზელსკი, ა. ოსტუჟევი და სხვ. 1900—09 თეატრის მთავარი რეჟისორი იყო ნ. სინელნიკოვი. საუკეთესო სპექტაკლები: გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", ჩეხოვის „ივანოვი", ლერმონტოვის „მასკარადი", შექსპირის „ჰამლეტი", მოლიერის „ტარტიუფი" და სხვ. რეპერტუარში ჭარბობდა ფარსები, მელოდრამები. კ. თ. ყოველ კვირას ახ. სპექტაკლს უჩვენებდა. 1925—26 წწ. სეზონში კ. თ. სახელმწ. თეატრების ქსელში მოექცა.

ლიტ.: Д. Я., Краткий очерк 25-летней деятельности театра Ф. А. Корша. 1882—1907, М., 1907.

კორჩა (Korça), ქალაქი ალბანეთის სამხრ.-აღმ. ნაწილში. 50 ათასზე მეტი მცხ. (1975). კორჩის მთათაშუა ქვაბულის მდიდარი სას.-სამ. რ-ნის ცენტრი. საფეიქრო, ტყავის, მინის, კვების (მ. თ. შაქრის) მრეწველობა. შუა საუკუნეებში კ. იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ადრიატიკის სანაპიროსაკენ მიმავალ გზებზე.

კორჩაკი (Corczac) იანუშ [ნამდვ. სახელი და გვარი ჰენრიკ გოლდშმიდტი (Goldszmidt)], (22. VII. 1978, ვარშავა, — VIII. 1942), პოლონელი მწერალი, პედაგოგი, ექიმი. 1903 ვარშავის სამედ. ინ-ტის დამთავრების შემდეგ 8 წელი იმუშავა ბავშვთა საავადმყოფოში. 1911 მდიდარი ფილანტროპების სახსრებით ვარშავაში დააარსა ახ. ტიპის „ობოლთა სახლი"; ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1898; მისი მრავალი ნაწარმოების გმირები ბავშვები არიან. მწერალი აღწერს ბურჟ. პოლ. ცხოვრებას. კ-ის თხზულებებიდან აღსანიშნავია მოთხრობები „ქუჩის ბავშვები" (1901), „მეფე მატიუშ პირველი" (1923), პიესა „შეშლილთა სენატი" (1931) და სხვ. კ-ის აღზრდის სისტემის მთავარი პრინციპები ასახულია მის წიგნში „როგორ უნდა გვიყვარდეს ბავშვები" (1914). ამ წიგნის II ნაწილი 1922 გამოიცა სსრკ-ში ნ. კრუპსკაიას წინასიტყვაობით. კ-ის პედ. მოღვაწეობა ემყარება ბავშვთა კოლექტივის ცალკეულ აღსაზრდელებში თვითშეგნების, თვითკონტროლის, თვითმმართველობის ჩვევათა გამომუშავებას. პოლ. ოკუპაციის დროს კ. გმირულად იცავდა ბავშვებს ვარშავის გეტოში. დაიღუპა ტრებლინკის აირკამერებში თავის 200 აღსაზრდელთან ერთად.

ლიტ.: Мойтлис Е. Л., Януш Корчак, «Советская педагогика», 1958, № 8.

კორჩულა (Korčula), კუნძული ადრიატიკის ზღვაში, დალმაციის კუნძულთა ჯგუფში. ეკუთვნის იუგოსლავიას. სიგრძე 47 *კმ*, ფართ. 276 *კმ*², სიმაღლე 568 *მ*-მდე. უმთავრესად აგებულია კირქვებით, დოლომიტებითა და ქვიშაქვებით. განვითარებულია კარსტი. ჰავა სუბტროპ., ხმელთაშუა ზღვის. ნალექები 1100 *მმ*-მდე წელიწადში. ფიჭვის ტყეები და მაკვისის კორომები. აშენებენ ზეთისხილს, ლეღვს, ციტრუსებს და ვაზს. ხორბლის ნათესები. თევზჭერა. ტურიზმი.

კორცხელი, სოფელი ზუგდიდის რ-ნში ოდიშის ვაკეზე, ზუგდიდ—წალენჯიხის საავტ. გზაზე. სოფსაბჭოს ცენტრი (სოფლები: კ., ბაში, ნაცატუ). ზ. დ. 200 *მ*, ზუგდიდიდან 10 *კმ*. კოლ-ბა (მეჩაიეობა, მეცხოველეობა; ტუნგი). საშ. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საავადმყოფო, აფთიაქი, კავშირგაბმ. განყბა. კ-ის ტერიტორიაზეა *კორცხელის მღვიმე*.

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში.

კ-ში არის XVII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი — ღვთისმშობლის ეკლესია. წერილობითი საბუთების თანახმად იგი 1624—39 აუგია ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს. 1815 ეკლესია შეაკეთებინა ნიკოლოზ დადიანმა; 1858 კვლავ განაახლეს. წარმოადგენს ქვის მცირე ზომის გუმბათოვან ნაგებობას სამი შვერილი აფსიდითა და ღია თაღოვანი სტოით დას. მხარეს. გუმბათი საკურთხევლის კედლების კუთხეებსა და ორ ბოძს ეყრდნობა. ფასადები მოპირკეთებულია ქვის მცირე კვადრებით. ეკლესიაში ინახებოდა ლევან II დადიანის შეწირული რამდენიმე ხატი და სხვა სიძველეები.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგნ. 2, ტფ., 1914, გვ. 200—208.

ვ. ბერიძე.
თ. ბერაძე.

კორცხელის მღვიმე, კარსტული მღვიმე ზუგდიდის რ-ნის სოფ. კორცხელის ტერიტორიაზე, მდ. ჯუმის (ენგურის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ზ. დ. 150 *მ*. გამომუშავებულია ნეოგენურ ქვიშაქვებში. სუბჰორიზონტალურ ფსკერიანი დერეფნული ტიპის გამჭოლი მღვიმეა. კ. ჩ-ის საშ. სიმაღლეა 3 *მ*, ჯამური სიგრძე — 790 *მ*. ჰაერის ტემპ-რა 14—15°C (ივლ., 1966). გადის ნაკადული. ზ. *ტინტილოზოვი*.

კორძახია გურამ ვლადიმერის ძე (21. VI. 1923, თბილისი, — 23. X. 1970, თბილისი), ქართველი მოქანდაკე. სსრკ დამს. მხატვარი (1966). სკპ წევრი 1944-იდან სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1946—52). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1966—70). კ-ს ნამუშევრებია: ვ. მაიაკოვსკის ძეგლი (1952, ბრინჯაო, პოეტის სახლ-მუზეუმი, მოსკოვი, 1979, თბილისი), ნ. ბარათაშვილის პორტრეტი (1957, ხე), „გოგონა ყვავილი" (1967, მარმარილო, სასტუმრო „ივერიის" შიდა ეზო, თბილისი) და სხვ.

კორძახია მიტროფანე ოტიას ძე [4 (16). VII. 1890, სოფ. აბაშა, — 28. IV. 1970, თბილისი], ქართველი საბჭ. კლიმატოლოგი. კიევის უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტის

დამთავრების (1915) შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა თბილისში, 1925—40 იყო თბილ. გეოფიზ. ობსერვატორიაში განყ-ბის გამგედ, 1940—52 თსუ-ში კითხულობდა ლექციებს კლიმატოლოგიაში, 1952—55 იყო საქ. სსრ კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-ტის განყ-ბის გამგე, 1955—70 — საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრ. ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი. კ-ს ძირითადი შრომები განეკუთვნება კლიმატოლოგიის, აგრეთვე საქართვ. კლიმატოგრაფიის საკითხებს. „საქართველოს სსრ ატლასის" შექმნაში მონაწილეობისათვის მიენიჭა საქ. სსრ სახელმწ. პრემია (1971).

თხზ: საქართველოს ჰავა, თბ., 1961; საქართველოს სსრ კლიმატური რუკა, 8., 1962 (თანაავტ.: შ. ჯავახიშვილი).

კორძფეხიანები (Tylopoda), ძუძუმწოვრების ქეერიგი წყვილჩლიქოსანთა რიგისა. ტანად დიდი ცხოველებია, ორთითა, ტერფის ძირზე კანი კორძიანი ბალიშივით აქვთ გამსხვილებული. კ-ის ქვერიგი შეიცავს ერთ ოჯახს, რ-შიც 2 გვარია: *აქლემი* და *ლამა*.

კორხი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში (არაკვის სოფსაბჭო), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1660 *მ*, ახალქალაქიდან 9 *კმ*. კოლ-ბა (მემინდვრეობა, მესაქონლეობა). საშ. სკოლა, ბ-კა, კლუბი (კინოდანადგარი), საფერშლო პუნქტი.

კოსა (Cossa) ფრანჩესკო დელ (დაახლ. 1436, ფერარა, — დაახლ. 1478, ბოლონია), ადრინდელი რენესანსის ხანის იტალიელი ფერმწერი, ფერარის სკოლის წარმომადგენელი. კ-ს შემოქმედებითი პრინციპი ჩამოყალიბდა ანდრეა მანტენიასა და პიერო დელა ფრანჩესკას ზეგავლენით. კ-ს ნამუშევრებს ახასიათებს პლასტ. ფორმის სიცხადე და ფერთა მდიდარი გამა. მისი ფრესკები გამოირჩევა სამყაროს პოეტური აღქმის სიცხოველით. დაზგურ ნამუშევრებში ნიშანდობლივია მეტყველი კონტური („ხარება", დრეზდენის სურათების გალერეა; საკურთხეველი გრიფონის კაპელისათვის სან-პეტრონიოს ეკლესიაში, ბოლონიაში, დაახლ. 1473, ლონდონის ეროვნ. გალერეა და სხვა მუზ.).

კოსა, ამაკოსა, სამხრ. აფრიკის რესპუბლიკაში (კაპის პროვ. აღმ. ნაწილი) მცხოვრები ხალხი. რაოდ. დაახლ. 5,5 მლნ. კაცი (1975, შეფასება). ენა (კოსა ანუ ისიკოსა) განეკუთვნება *ბანტუ* ენათა ოჯახს. მოსახლ. მნიშვნელოვანი ნაწილი მისდევს ტრად. რწმენებს (წინაპართა და ბუნების ძალთა კულტი). არიან ქრისტიანებიც. 1470—80-იან წლებში იბრძოდნენ ბურების, XIX ს. დასაწყისიდან კი ინგლისელების წინააღმდეგ. ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება (სიმინდი, სორგო) და მესაქონლეობა. მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობს მრეწველობაში, მაღაროებსა და ფერმებში.

კოსარევი ალექსანდრე ვასილის ძე (14. XI. 1903, მოსკოვი, — 23. II. 1939), ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე. რუს. ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წევრი 1918-იდან, სკკპ წევრი 1919-იდან. იყო სამოქალაქო ომის (1918—20) მონაწილე; ომის შემდეგ კომკავშირის ბაუმანის რაიკომის მდივანი მოსკოვში, მოსკოვ-ნარვის კომკავშირის რაიკომის მდივანი ლენინგრადში და საკ. ალკკ პენზის საგუბერნიო კომიტეტის მდივანი. 1926-იდან მოსკ. კომიტეტის მდივანი. 1927 საკ. ალკკ ცკ-ის მდივანი. 1929—39 საკ. ალკკ ცკ-ის გენ. მდივანი. პარტიის XIII—XVII ყრილობების დელეგატი. XV ყრილობაზე აირჩიეს საკ. კპ (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრად, XVI-ზე— საკ. კპ (ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატად. ხოლო XVII-ზე — საკ. კპ (ბ) ცკ-ის წევრად. იყო საკ. კპ(ბ) ცკ-ის ორგბიუროს, სსრკ ცაკის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

კოსარეკი (Kosárek) ადოლფ (6. I. 1830, გერალეცი, — 29. X. 1859, პრაღა), ჩეხი ფერმწერი. XIX ს. რეალისტური პეიზაჟის ეროვნ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწავლობდა პრაღის სამხატვრო აკადემიაში (1850—55). მისი შემოქმედებითი გზა თანდათან მიემართებოდა იდეალიზებული რომანტიკული პეიზაჟიდან ბუნების უშუალო დაკვირვებაზე დაფუძნებულ პეიზაჟამდე. („ზაფხულის პეიზაჟი", 1859, პრაღის ეროვნ. გალერეა). ასახა ჩეხიისა და მორავიის ლანდშაფტის თავისებურება.

კოსარიკი დმიტრი (ნამდვ. გვარი კოვალენკო დიმიტრი მიხეილის ძე) [დ. 18 (31). X. 1904, სოფ. ფიდროვკა, უკრაინა], უკრაინელი საბჭ. მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, სკკპ წევრი 1942-იდან. პირველი ნაწარმოები 1923 გამოაქვეყნა, მოთხრობების პირველი კრებ. „წითელი ემბაზი" — 1925. მას ეკუთვნის 1905 რევ. ამსახველი მოთხრ. „ხანძარი", მოთხრობები ა. პუშკინზე, ტ. შევჩენკოზე, ო. კობილიანსკაიაზე, ისტ.-ბიოგრ., ლიტ. სტატიები და სხვ. კ-მა მიაკვლია დავით გურამიშვილის საფლავს მირგოროდში. ავტორია მეცნ.-ლიტ. ნარკვევისა „დავით გურამიშვილი უკრაინაში" (გამოიცა ქარხ. ენაზე, 1949). *რ. ხვედელიძე.*

კოსეკანსი (გვიანდ. ლათ. cosecans, შემოკლებული complementi secans — დამატების *სეკანსი*), ერთ-ერთი *ტრიგონომეტრიული ფუნქცია*; აღინიშნება cosec სიმბოლოთი. მართკუთხა სამკუთხედში მახვილი კუთხის კ. ეწოდება ჰიპოტენუზის შეფარდებას ამ კუთხის მოპირდაპირე კათეტთან.

კოსელი (Kossel) ალბრეხტ (16. IX. 1853, როსტოკი, — 5. VII. 1927, ჰაიდელბერგი), გერმანელი ბიოქიმიკოსი. ბერლინის (1887), მარბურგის (1895) და ჰაიდელბერგის (1901—23) უნ-ტების პროფესორი. მისი უმთავრესი შრომები ცილებისა და ნუკლეოპროტეიდების ქიმიას ეხება. აღმოაჩინა და მრავალმხრივ შეისწავლა უჯრედის ბირთვის ცილები — ჰისტონები, გამოიკვლია სასქესო უჯრედებში შემავალი ცილები — პროტამინები, ამ ცილებში აღმოაჩინა ამინომჟავა ჰისტიდინი (1896). კ. ცილების ამინომჟავური აგებულების თეორიის ერთ-ერთი ავტორია. 1910 მიენიჭა ნობელის პრემია.

კოსენკო ვიქტორ სტეფანეს ძე [11 (23). XI. 1896, პეტერბურგი, — 3. X. 1938, კიევი], საბჭ. კომპოზიტორი, პიანისტი, პედაგოგი. 1918 დაამთავრა პეტროგრ. კონსერვატორია. 1918—28 ასწავლიდა ჟიტომირის სამუსიკო ტექნიკუმში, 1929—34 — კიევის ნ. ლისენკოს სახ. მუს.-დრამ. ინ-ტში, 1934—38 — კიევის კონსერვატორიაში (1932-იდან პროფესორი). გამოდიოდა როგორც პიანისტი. ნაწარმოებები: „გმირული უვერტიურა" (1932), „ბოლდავური პოემა" სიმფ. ორკესტრისათვის (1937), საფორტეპიანო კონცერტი, კლასიკური ტრიო, 3 საფორტეპიანო სონატა, გუნდები, რომანსები, სიმღერები და სხვ. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით.

კოსვენი მარკ ოსიპის ძე [11 (23). I. 1885, ბრესტი, — 18. VI. 1967, მოსკოვი], საბჭ. ეთნოგრაფი, პირველყოფილი საზ-ბის ისტორიკოსი და კავკასიისმცოდნე, ისტ. მეცნ. დოქტორი (1943). 1934—54 მოსკ. უნ-ტის პროფესორი. 1935—37 და 1943—65 სსრკ მეცნ. აკად. ეთნოგრ. ინ-ტის კავკ. სექტორის ხელმძღვანელი და უფრ. მეცნ. თანამშრომელი. მისი გამოკვლევების მთავარი თემატიკაა: მატრიარქატი, ქორწინების ადრინდ. ფორმები, საოჯახო თემი და პატრონიმია, პირველყოფილი კულტ. ისტორია, კავკ. ხალხთა ეთნოგრ. და ისტორიოგრაფიის საკითხები და სხვ.

ლიტ.: Гарданов В. К., М. О. Косвен, «Советская этнография», 1967, № 6.

კოსი (Causse), საფრანგეთის ცენტრალური მასივის სამხრ. ნაწილში მდებარე პლატოების სახელწოდება. სიმაღლე 1200 *მ*-მდე. აგებულია დანაოჭებული კირქვებით. ფართოდ არის გავრცელებული კარსტი. დანაწევრებულია 500—700 *მ* სიღრმის ხეობებით. მეჩხერი ქსეროფიტული ბალახოვან-ბუჩქოვანი მცენარეულობა, ალაგ-ალაგ მუხის, წიფლის და ფიჭვის ტყის მასივები.

კოსიგანია, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუზე, ტოკიოს პრეფექტურაში. ტოკიოს ქალაქ-თანამგზავრი. 178 ათ. მკს. (1973). კვებისა და ლითონდასამუშ. მრეწველობა.

კოსიგინი ალექსი ნიკოლოზის ძე [8 (21). II. 1904, პეტერბურგი, — 18. XII. 1980, მოსკოვი], საბჭოთა პარტ. და სახელმწ. მოღვაწე. სკკპ წევრი 1927-იდან. 1935 დაამთავრა კიროვის სახ. ლენინგრ. საფეიქრო ინ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა პარტ. და საბჭ. ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1964—80 იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რე. 1966—80 სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. სკკპ XVIII—XXV ყრილობების დელეგატი. სსრკ II—X მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სოციალ. შრომის ორგზის გმირი (1964, 1974). დაჯილდოებულია 6 ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

ა. კოსარევი.

კოსიგინი იური ალექსანდრეს ძე [დ. 9 (22). I. 1911, პეტერბურგი], საბჭ. გეოლოგი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1970). 1931 დაამთავრა მოსკ. ნავთობის ინ-ტი. 1935-დან მუშაობს სსრკ მეცნ. აკად. სხვადასხვა სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში; 1970-იდან ხაბაროვსკის კომპლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის, ხოლო 1971-იდან ტექტონიკისა და გეოფიზ. ინ-ტის (ხაბაროვსკი) დირექტორია.

კ-ის შრომები ძირითადად ეხება სსრკ ნავთობაირიანი რ-ნების გეოლ. აგებულების, კამბრიულისწინა წყებების გეოლოგიისა და ტექტონიკის, აგრეთვე გეოტექტონიკის თეორ. საკითხებს და სხვ. იგი მრავალი ტექტონ. რუკის თანაავტორია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ა. კოსიგინი.

კოსინუსების თეორემა, ტრიგონომეტრიის თეორემა, რ-ის თანახმად სამკუთხედის გვერდის კვადრატი უდრის დანარჩენი ორი გვერდის კვადრატების ჯამს ამ გვერდებისა და მ. შ. მდებარე კუთხის კოსინუსის გაორკეცებული ნამრავლის გამოკლებით: $c^2 = a^2 + b^2 - 2ab\cos\alpha$. სადაც a, b, c სამკუთხედის გვერდებია, α კი — a და b გვერდებს შორის მოთავსებული კუთხე.

ი. კოსიგინი.

კოსინუსი (გვიანდ. ლათ. cosinus, შემოკლებული complementi sinus — დამატების *სინუსი*), ერთ-ერთი *ტრიგონომეტრიული ფუნქცია*; აღინიშნება cos სიმბოლოთი. მართკუთხა სამკუთხედის მახვილი კუთხის კ. ეწოდება ამ კუთხესთან მიმდებარე კათეტის შეფარდებას ჰიპოტენუზასთან.

კოსინუსოიდა, ბრტყელი წირი, რ-იც $y = \cos x$ ფუნქციის გრაფიკს წარმოადგენს. იხ. *ტრიგონომეტრიული ფუნქციები*.

კოსინუს ფი (cos φ), იხ. *სიმძლავრის კოეფიციენტი*.

კოსიორი სტანისლავ ბიკენტის ძე [6 (18). XI. 1889, — 26. II. 1939], საბჭ. სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1907-იდან. პარტ. მუშაობას ეწეოდა დონბასში, ხარკოვში, პოლტავაში, კიევსა და მოსკოვში. არაერთხელ იყო რეპრესირებული. 1917 თებ. რევ. შემ-

კორცხელი. ლეთისმშობლის ეკლესია. XVII ს. I ნახევარი.

ს. კოსიორი.

ე. კოსმინსკი.

დეგ პარტიის ნარვა-პეტერგოფის რაიკომის მდივანი, რსდმპ (ბ) პეტერბ. კომიტეტისა და პეტერბ. აღმასრ. კომისიის წევრი. რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციის და VI ყრილობის დელეგატი. რსდმპ (ბ) პეტერბ. კომიტეტის გაფართოებული თათბირის თავ-რე [1917 წ. 15 (28) ოქტ.], რ-მაც განიხილა შეიარაღებული აჯანყების მომზადების პრაქტ. საკითხები. 1917 ოქტ. რევ. მონაწილე. პეტროგრ. სამხ. რევკომის კომისარი. ბრესტის ზავის დადების დროს მიემხრო *„მემარცხენე კომუნისტებს“*. პ. იყო უკრ. კპ (ბ)-ის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919 მეთაურობდა უკრ. კპ(ბ) ცკ-ის ფრონტისიქითა ბიუროს, 1920 — უკრ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი, 1922 — რკპ (ბ) ცკ-ის ციმბ. ბიუროს მდივანი. 1925—28 — საკ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანი. 1928 ივლისიდან უკრ. კპ (ბ) ცკ-ის გენ. მდივანი. 1938 სსრკ სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე და საბჭ. კონტროლის კომისიის თავ-რე. პარტიის XII—XVII ყრილობების დელეგატი. XII ყრილობაზე აირჩიეს საკ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატად, XIII—XVII ყრილობებზე — წევრად. 1927-იდან საკ. კპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი იყო, 1930-იდან წევრი. კომინტერნის VI—VII კონგრესების დელეგატი. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

კოსმაჩი (Kosmač) ცირილ (დ. 28. IX. 1910, სოფ. სლაპი), სლოვენი მწერალი. რევ. მოღვაწეობისათვის ფაშისტებმა ჩასვეს რომის ციხეში (1929—30). 1944 მონაწილეობდა იუგოსლ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1933. პ., „სოციალური რეალიზმის“ მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი ფსიქოლ. ნოველის ოსტატია (კრებულები „ბედნიერება და პური“, 1946 და სხვ.). პ-ს ეკუთვნის კინოსცენარი „თავის მიწაზე“ (1949) და „გაზაფხულის დღე“ (1953). 50-იანი წლებიდან მოდერნიზმის სტილისტურ ხერხებსაც იყენებს („ბალადა საყვირსა და ღრუბელზე“, 1956—57); ამაჟე სახელწოდების ფილმი (1961).

კოსმეტიკა (ბერძნ. kosmētikē — მორთვის ხელოვნება), მოძღვრება იმ საშუალებებსა და მეთოდებზე, რ-ებიც აუმჯობესებს ადამიანის გარეგნობას. განარჩევენ საექიმო და დეკორატიულ კ-ს. ს ა ე ქ ი მ ო კ-ში შედის ჰიგიენური (პროფილაქტ.), სამკურნ. და ქირურგ. კ. ჰიგიენური კ. ებრძვის სიბერის ეამოვლინებებს და ამისათვის იყენებს სხვადასხვა საშუალებას (წყალი, საპონი, მალამო, პუდრა, კბილის პასტა და სხვ.) და პროცედურას (სახის გაწმენდა, ნიღბები, მასაჟი, ორთქლის აბაზანები, პარაფინის აპლიკაციები, დარსონვალიზაცია და სხვ.). სამკურნ. კ-ის ამოცანაა სახის კანისა და თმის დაავადებების (*სებორეა, სიმელოტე*, კანის პიგმენტაციის დარღვევა, *ჰიპერტრიქოზი*, კანის კეთილთვისებიანი წარმონაქმნები. ჭორფლი და სხვ.) მკურნალობა. მკურნალობის ფიზ. მეთოდებიდან სამკურნ. კ. იყენებს დიათერმოკოაგულაციას, კრიოთერაპიას და სხვ. ქირურგ. კ-ის მიზანია ოპერაციული გზით სახის ნაკვთების (ცხვირი, ტუჩები, ყურის ნიჟარები და სხვ.) ფორმის შეცვლა, სახის კანის ზედმეტი ნაოჭებისა (შუბლის, ქუთუთოების, ნიკაპის, კისრის მიდამოში) და ზედმეტი ცხიმის (მუცელი, თეძოები) მოცილება, სარძევე ჯირკვლების ფორმის შეცვლა და ა. შ. დ ე კ ო რ ა ტ ი უ ლ ი კ-ცდილობს კოსმეტიკური საშუალებების (პუდრა, პომადა, გრიმი, წარბებისა და ქუთუთოების ფანქრები, წამწამების ტუში, თმის საღებავი და სხვ.) წყალობით ნაკლებად შესამჩნევი ან თვალსაჩინო გახადოს სახის ზოგიერთი ნაკვთი, დამალოს გარეგნული დეფექტები. დეკორ. კ-ში შედის თმის ვარცხნილობა, ფრჩხილების მოვლა (მანიკიური, პედიკიური) და სხვ. კოსმეტიკური მალამოები შეიძლება იყოს მკვებავი, დამარბილებელი, გამწმენდი, დამცველი; ზოგიერთი მალამოს შედგენილობაში შედის ვიტამინები, ჰორმონები, სამკურნ. ბალახის ექსტრაქტები, რ-ებიც ასტიმულირებს კანის უჯრედებში ცვლის პროცესებს. ყველა კოსმეტიკური საშუალება უვნებელია და იყიდება მხოლოდ სსრკ სახსანინსპექციის ნებართვით.

1937 სსრკ-ში შეიქმნა კოსმეტიკისა და ჰიგიენის ინ-ტი (მოსკოვი), რ-იც 1966 მოსკ. კოსმეტოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტად გადაკეთდა. კ-ის მიღწევები და პრობლემები შუქდება ჟურნალებში „Вестник дерматологии и венерологии“, „Советская медицина“, „Стоматология“ და სხვ. მოსახლეობას საექიმო-კოსმეტიკურ მომსახურებას უწევენ სპეც. კოსმეტოლოგიურ სამკურნალოებში, კაბინეტებში, სალონებში და სხვ.

კოსმინსკი ევგენი ალექსის ძე [21. X (2. XI). 1886, ვარშავა, — 24. VII. 1959, მოსკოვი], საბჭ. ისტორიკოსი, მედიევისტი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946-იდან). 1910 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი. იყო პ. ვინოგრადოვის, დ. პეტრუშევსკის, ა. სავინის, რ. ვიპერის მოწაფე. 1919-იდან პროფესორი. მისმა შრომებმა შუა საუკ. ინგლ. აგრარული ისტორიის, შუა საუკ. ისტორიოგრაფიის, XVII ს. ინგლისის ბურჟ. რევ., ბიზანტიის ისტ. და სხვ. საკითხებზე ფართო აღიარება პოვეს როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. 1942 კ-ს, როგორც „დიპლომატიის ისტორიის“ I ტომის თანაავტორს, მიენიჭა სახელმწ. პრემია. კ-ს ავტორობითა და რედაქტორობით გამოვიდა სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშ. სკოლებისათვის. დაჯილდოებულია 2 ლენინის და სხვ. ორდენებით.

თხზ.: Историография средних веков. V в. — сер. XIX в. Лекции, М., 1963; Проблемы английского феодализма и историографии средних веков. Сб. ст., М., 1963 (ახლავს კ-ის შრომების დაწერილებითი ბიბლიოგრ.).

კოსმოგონია (ბერძნ. kosmogonia<kosmos—სამყარო და goneia—დაბადება, წარმოშობა), მეცნიერების დარგი, რ-იც იკვლევს კოსმოსური სხეულებისა და სისტემების წარმოშობას და განვითარებას. კოსმოგონიური პროცესების კვლევის საფუძველია *ვარსკვლავთა ასტრონომიის, ასტროფიზიკის, ცის მექანიკისა* და *ფიზიკის* მონაცემები და კანონზომიერებანი. ეს კვლევა შეეხება ასტრონ. სამყაროს ყველა სხეულს. მიღებულია კ-ის დაყოფა პლანეტურ, ვარსკვლავთა და გალაქტიკურ კ-დ.

პლანეტური კ. იკვლევს მზისა და *მზის სისტემის* პლანეტების წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს. ასეთი კვლევა ითვალისწინებს და უნდა ხსნიდეს კიდეც, პლანეტური სისტემის ოთხ ძირითად, საერთო თვისებას: 1. ყველა პლანეტის მზის გარს მოქცევა დაახლოებით ერთ სიბრტყეში მდებარე ორბიტების გასწვრივ ერთი საერთო მიმართულებით: დასიდან აღმ-ით; 2. მზისა და თითქმის ყველა პლანეტის ღერძული ბრუნვა ასევე დასიდან აღმ-კენ; 3. პლანეტების დაყოფა ფიზიკურად განსხვავებულ ორ ჯგუფად: მზესთან უფრო ახლოს მდებარე დედამიწის მსგავს მკვრივ პლანეტებად (მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი) და უფრო დაშორებული და დიდი ზომისა და მასის, მაგრამ ნაკლები სიმკვრივის პლანეტებად (იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი; ასეთი დაყოფის გარეთ რჩება უკანასკნელი პლანეტა პლუტონი); 4. მთელი მზის სისტემის მოძრაობის რაოდენობის მომენტის 98%-ის თავმოყრა ცოცხალებზე.

ჯერ კიდევ ბერძენი ფილოსოფოსები (ლევკიპე, დემოკრიტე, ლუკრეციუსი) ძვ. წ. IV—I სს-ში გამოთქვამდნენ ზოგად მოსაზრებებს ციური სხეულების წარმოშობისა და განვითარების შესახებ. შემდგომ მრავალი საუკუნის მანძილზე გაბატონდა თეოლოგია. მხოლოდ XVII ს-ში რ. *დეკარტმა* შეძლო უკუეგდო მითი სამყაროს შექმნის შესახებ და აღნიშნა, რომ ყველა ციური სხეული ჩამოყალიბდა მატერიის უმცირესი ნაწილაკების ქაოსური მოძრაობის შედეგად. მეცნიერულად დასაბუთებული პირველი კოსმოგონიური ჰიპოთეზები ჩამოყალიბდა XVIII ს-ში. ეს ჰიპოთეზები პლანეტურ კ-ს შეეხებოდა. ი. *ნიუტონმა* პირველმა მიაქცია ყურადღება პლანეტების მოძრაობის ზოგად კანონზომიერებებს და აღიარა, რომ პლანეტებისა და მზის ერთ სისტემად შეკავშირება შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ი. *კანტმა* (1755) თვისებრივი ხასიათის მსჯელობით, ხოლო ლაპლასმა (1796) მათ. აპარატის მომველიებით წამოაყენეს ჰიპოთეზა, რ-იც ცნობილია როგორც კანტ-ლაპლასის ჰიპოთეზა. მისი ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ პლანეტური სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობს ერთიანი ნივთიერი მასის („ნისლეულის“) საკუთარი განვითარების პროცესში. კანტის მიხედვით, მზის სისტემა წარმოიშვა აირისა და მტვრისაგან შედგენილი „ღრუბლებისაგან“. ლაპლასმა უჩვენა, თუ როგორ შეიძლება მბრუნავი ღრუბლისაგან (ნისლეულისაგან) წარმოიქმნას ცოცხალთა სისტემა. თუმცა შემდგომში კანტ-ლაპლასის ჰიპოთეზის დასაბუთებაში შეცდომები და წინააღმდეგობრივობანი აღმოჩნდა, რის გამოც იგი უარყოფილ იქნა, მაინც ნივთიერების განვითარების თვით იდეამ დიდი გავლენა იქონია საერთოდ ბუნებისმეტყველებაზე. ამ დარგის მეცნ. დისციპლინათა განვითარებასა და სწორი მატერიალ. მსოფლმხედველობისათვის საფუძვლის მომზადებაში. ამასთან, ძალაში დარჩა ჰიპოთეზის ზოგი მოსაზრება, მაგ., მზისა და ცოცხალების ერთობლივი წარმოშობა ერთიანი საწყისი ნისლეულისაგან, როტაციული არამდგრადობის მნიშვნელობა და სხვ. მე-19 და მე-20 სს-ში დამუშავდა რამდენიმე ახ. ჰიპოთეზა, კერძოდ, ფ. მულტონისა და ტ. ჩემბერლენისა, რ-ის მიხედვით პლანეტები უნდა წარმოშობილიყო მზიდან პროტუბერანცების სახით ამოფრქვეული ნივთიერებისაგან; ჯ. ჯინსის ჰიპოთეზის მიხედვითაც პლანეტები წარმოშობილა გავარვარებული ნივთიერებისაგან, რ-იც მზის მახლობლად გავლილი მასიური ვარსკვლავის მიზიდულობას მოუწყვეტია მზისგან. ვერც ერთმა ჰიპოთეზამ ვერ გაუძლო მომდევნო დროის კრიტიკას.

მე-20 ს. 30—40-იან წლებში საბჭ. კავშირში დამუშავდა ვ. ფესენკოვის, შემდგომ ო. შმიდტის ჰიპოთეზები. პირველის მიხედვით ევოლუციის პროცესში დიდი როლი მიეკუთვნებოდა კოსმ. სხეულის მასის სიდიდესა და მისგან კორპუსკულური ნაწილაკების გამოფრქვევას. მეორის მიხედვით პლანეტები წარმოიშვა მზის გარემომცველ სივრცეში გაბნეული ნაწილაკების უკვე ჩამოყალიბებული მზის მიერ მიტაცების პროცესში. უცხოეთის ქვეყნებში პარალელურად მუშავდებოდა ჰიპოთეზები, რ-თა უმრავლესობა ემყარებოდა გავრცელებულ წარმოდგენას მზის წარმოშობაზე — აირ-მტვრის „ნისლეულის“ ბრუნვისა და შეკუმშვის პროცესში და ცენტრიდანული ძალების მოქმედების გავლენით „ნისლეულისაგან“ სხვადასხვა მასის პროტოპლანეტური „ღრუბლების“ გამოყოფაზე. ეს წარმოდგენა კანტისა და ლაპლასის იდეებს უახლოვდებოდა, მაგრამ ანგარიში ეწეოდა მაგნ. ველის მოქმედებას, მზის კორპუსკულურ გამოსხივებას და სხვ. კოსმონავტიკის განვითარება, სრულიად ახ. ცნობების მოპოვება მთვარის, მარსის, ვენერასა და სხვა სხეულების წიაღის, ზედაპირისა და ატმოსფეროს მექან. ფიზ. და ქიმ. მახასიათებლების შესახებ, რაც ამჟამად მიმდინარეობს, მეტ შუქს შეიტანს ამ რთულ პრობლემაში.

ვარსკვლავთა კ-ში გაბატონებულია შეხედულება, რ-ის მიხედვით ვარსკვლავები წარმოიშობა აირ-მტვრის დიფუ-

ზური ნივთიერების ე. წ. *გლობულებად* შეკუმშვის შედეგად. ამას უპირისპირდება საწინააღმდეგო თვალსაზრისი, რ-საც 40-იანი წლებიდან ვ. *ამბარცუმიანი* ავითარებს: ვარსკვლავები წარმოიშობა ერთგვარი ზემკვრივი „ვარსკვლავამდელი" ნივთიერების დაშლის პროცესში. ჰერცშპრუნგ-რესელის დიაგრამის მთავარ მიმდევრობაზე მოსვლის შემდეგ კი ვარსკვლავი ისეთ ეიოლუციურ სტადიებს გაივლის, რ-ებიც განპირობებულია მის შიგნით მიზიდულობის, სინათლის სხივური წნევისა და სითბურ მოქმედებათა წონასწორობით. ვარსკვლავის ენერგიის წყაროა ბირთვული რეაქციები, რ-თა შედეგად წყალბადი (ვარსკვლავის საწყისი ნივთიერება) ჰელიუმად გარდაქმნება. წყალბადის ამოწურვასთან ერთად მცირემასიან ვარსკვლავებში ყალიბდება ვარსკვლავის მეტად მკვრივი გული (სიმკვრივე 10^5 *გ/სმ*^{3}, ტემპერა ათეული მლნ. გრადუსი). ასეთ პირობებში ვარსკვლავის ნივთიერება გადაგვარებულ აირს წარმოადგენს. ამის შემდეგ რეაქცია მიმდინარეობს მხოლოდ ვარსკვლავის გარსში, ვარსკვლავი იბერება; მისი რადიუსი და ნათობა მატულობს და იგი იქცევა გიგანტ ვარსკვლავად. გაფართოების გამო გარსი თანდათან გამჭვირვალე ხდება, გულის ულტრაიისფერი გამოსხივება კი მას ნათებას ანიჭებს; ასეთ სტადიაზე გიგანტი ვარსკვლავი *პლანეტახის ნისლეულად* იქცევა. უფრო გვიან, გული რომ გაცივდება, ჩამოყალიბდება ე. წ. თეთრი ჯუჯა ვარსკვლავი, რ-იც ენერგიის წყაროს მოკლებული, ნელ-ნელა, მილიარდობით წლების განმავლობაში, გაცივდება. თუ ვარსკვლავის საწყისი მასა უფრო დიდია, გულის ტემპ-რა იმდენად (100—150 მლნ. გრადუსი) გაიზრდება, რომ წყალბადის ჰელიუმად გარდაქმნის რეაქციის დამთავრებას მოყვება ჰელიუმის ნახშირბადად გარდაქმნა; კიდევ უფრო მაღალი ტემპ-რის პირობებში უფრო მძიმე ელემენტების სინთეზის რეაქციებიც მიმდინარეობს; ვარსკვლავი ფართოვდება, მოციელების გარსს, დაკარგავს მასის დიდ ნაწილს და ისიც თეთრ ჯუჯა ვარსკვლავად იქცევა. თუ საწყისი მასა კიდევ უფრო მეტია და თითქმის ორი მზის მასას მაინც აღწევს, მასში შეიძლება წარმოიშვას კიდევ უფრო მძიმე ელემენტები (მაგ., რკინა). სიმკვრივე მატულობს, ენერგიის გამოყოფა წყდება, გადაგვარებული აირის წნევა ვეღარ აწონასწორებს ვარსკვლავის სიმძიმის ძალას, ვარსკვლავი განაგრძობს შეკუმშვას, სანამ ნივთიერების სიმკვრივე არ გაუთანაბრდება ატომბირთვების სიმკვრივეს. ასეთ პირობებში უზარმაზარი წნევის მოქმედებით ელექტრონები ატომბირთვებს უერთდება, წარმოიშობა ნეიტრონები, ვარსკვლავის რადიუსი შემცირებულია ერთ-ორ ათეულ *კმ*-მდე და იგი *პულსარადაა* გადაქცეული. შეკუმშვის აღწერილ პროცესში გრავიტაციული ენერგიის ნაწილი გადაეცემა ვარსკვლავის გარსს, რის შედეგადაც ნივთიერება რადიალურად გამოიფრქვევა რამდენიმე ათ. *კმ/წმ* სიჩქარით, რაც აფეთქების მოვლენას წარმოადგენს. ამნაირად იბადება *ზეახალი ვარსკვლავი*. თუ ვარსკვლავის მასა უფრო მეტია, ვიდრე ორი მზის მასა, შეკუმშვა არ წყდება, მისი სიჩქარე სულ მატულობს, უახლოვდება სინათლის სიჩქარეს, ხდება ე. წ. გრავიტაციული კოლაფსი, ვარსკვლავი აღარ გამოასხივებს, აღარ დაინახება (იხ. *შავი ორმო*). ვარსკვლავის ევოლუციის ხანგრძლივობაც მის მასაზეა დამოკიდებული; მზის ტიპის ვარსკვლავებისათვის იგი დაახლ. ათ. მლრდ. *წ* უდრის.

გალაქტიკური ჰ. ადრინდელ სტადიაზე გალაქტიკა წარმოადგენს ფართოდ გავრცობილ, ნელა მბრუნავ აიროვან „ღრუბელს". იგი განიცდის შეკუმშვას ცენტრისაკენ, ეს ღრუბელი შიგადამიგ წარმოშობს ვარსკვლავთა გუნდებს, გროვებს. ასე ჩამოყალიბებულ ვარსკვლავებს ახასიათებს გალაქტიკის ცენტრის გარს მოძრაობა ფართოდ გაწელილი დიდი ორბიტების გასწვრივ, რ-ებიც იმ სიერცეს შემოსაზღვრავენ, აირს რომ თავდაპირველად ეკავა. აირი კარგავს ქაოსურ მოძრაობათა კინეტიკურ ენერგიას. ამიტომ იკუმშება და „ღრუბლის" რადიუსი მცირდება, რის გამო ბრუნვის სიჩქარე მატულობს, სანამ დამყარდება წონასწორობა ცენტრისაკენ მიზიდულობასა და ცენტრიდანულ ძალას შორის. ვარსკვლავთა წარმოშობა ამ სტადიაზეც მიმდინარეობს, ოღონდ ისინი თავიანთი ორბიტებით ახლა უფრო მეტად ავსებენ „ღრუბლის" ეკვატორული სიბრტყის ახლო სივრცეს. წარმოიშობა თითქოს ახ., პირველისაგან განსხვავებული კრებული ანუ სისტემა ვარსკვლავებისა. ეს პროცესი გრძელდება და შემდგომ სტადიაზე კიდევ უფრო მეტად შებრტყელებულ სივრცეში წარმოგვიდგება უფრო „ახალგაზრდა", ცხელი ვარსკვლავების კრებული. ასე ყალიბდება გალაქტიკის სტრუქტურა, როგორც ვარსკლავთა ქვესისტემების ერთობლიობა. სხვადასხვა ქვესისტემის ვარსკვლავები განსხვავდებიან არა მარტო ასაკობრივი და კინემატიკური მახასიათებლებით, არამედ ქიმ. შედგენილობითაც. მაგ., ბრტყელი ქვესისტემის ვარსკვლავები უფრო მდიდარია მძიმე ლითონური ელემენტებით, ვინაიდან ისინი იბადებიან უფრო გვიანდ. დიფუზურ ნივთიერებაში, რ-ის შედგენილობაში შედის არა მარტო სუფთა წყალბადი, არამედ ზეახალ და სხვა ხნიერ ვარსკვლავთა მიერ გამოფრეფეული ნივთიერებაც, რ-საც გავლილი აქვს ბირთვული რეაქციების სტადია და მასში უკვე სინთეზირებულია მძიმე ელემენტები. გალაქტიკის შემდგომი ევოლუციის მსვლელობაში ვარსკვლავთშორისი ნივთიერება, რ-იც მასალას წარმოადგენს ვარსკვლავთა ჩამოყალიბებისათვის, ამოიწურება, ვარსკვლავთა წარმოშობის პროცესი შეწყდება, გალაქტიკას შემორჩება მხოლოდ მცირემასიანი ხნიერი ვარსკვლავები, თეთრი ჯუჯები, *ნეიტრონული ვარსკვლავები*, აგრეთვე ისეთები, რ-ებიც *კოლაფსს* განიცდიან. ევოლუციის ტემპი დიდად შემცირებული იქნება. აღწერილ სურათს უპირისპირდება ვ. ამბარცუმიანის კონცეფცია, რ-ის მიხედვით არა მარტო ცალკეული ვარსკვლავები, არამედ ვარსკვლავთ კრებულები — გალაქტიკები და გალაქტიკათა გროვებიც წარმოსდგება „ვარსკვლავამდელი" მკვრივი ნივთიერებისაგან, რ-იც არასტაციონარულ მდგომარეობაშია და გრანდიოზულ აფეთქებებს განიცდის, რის შემდეგ წარმოიშობა ცალკეული სხეულები ან მათი სისტემები, *ვარსკვლავთა ასოციაციები* და სხვ; თვით „ვარსკლავამდელი" ნივთიერების ბუნება ცნობილი არაა და ზოგი დაკვირვებული ფაქტის ახსნა უკანასკნელი კონცეფციის შუქზე არ ხერხდება ფიზიკის მხოლოდ ამჟამად ცნობილი ფუნდამენტური კანონების საფუძველზე. კოსმოგონიური პრობლემები თანამედროვე ასტრონომიის ურთულესი პრობლემებია.

იხ. აგრეთვე *მზის სისტემა, ვარსკვლავები, გალაქტიკა.*

ლიტ.: საბაშვილი შ., სამყაროს საინტერესო ობიექტები, თბ., 1976; Амбарцумян В. А., Проблемы эволюции Вселенной, Ер., 1968; Бааде В., Эволюция звезд и галактик, пер. с англ., М., 1966; Левин Б. Ю., Происхождение Земли, «Известия АН СССР. Физика Земли», 1972, № 7.

ე. ხარაძე.

კოსმოდემიანსკაია ზოია ანატოლის ასული (ტანია) (13. IX. 1923, სოფ. ოსინოვიე-გაი, ტამბოვის ოლქი, — 29. XI. 1941, სოფ. პეტრიშჩევო, ვერეისკის რ-ნი, მოსკ. ოლქი), საბჭ. პარტიზანი ქალიშვილი. დაიბადა მოსამსახურის ოჯახში. საკ. ალკკ წევრი 1938-იდან. სწავლობდა მოსკ. 201-საშ. სკოლაში. 1941 ოქტ. X კლასის მოსწავლე მოხალისედ შევიდა პარტიზანულ რაზმში. 1941 ნოემბ. ბოლოს გერმანელების მიერ ოკუპირებულ სოფ. პეტრიშჩევოში საბრძოლო დავალების შესრულების დროს შეეპყრეს ფაშისტებმა. მიუხედავად არაადამიანური, მხეცური წამებისა, ჰ-მ არ გასცა ამხანაგები და არ გაამჟღავნა თავისი ვინაობა. 1941 წ. 29 ნოემბ. გერმ. ფაშისტებმა ჩამოახრჩვეს. 1942 წ. 16 თებ. ჰ-ს მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება სიკვდილის შემდეგ. სოციალ. სამშობლოს, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებამ და ერთგულებამ ლენინური კომკავშირის ალზრდილის სახელი ლეგენდად აქცია. ჰ-ს გმირული ცხოვრება აისახა საბჭ. პოეტების, მწერლების, დრამატურგების, მხატვრებისა და მოქანდაკეების შემოქმედებაში. მისი სახელი ეწოდა სსრკ მრავალი ქალაქის ქუჩებს. მინსკის გზატკეცილზე, სოფ. პეტრიშჩევოსთან ახლოს, დადგმულია ჰ-ს ძეგლი და აღმართულია მემორიალური დაფა. 1942 ჰ-ს ნეშტი გადაასვენეს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, მოსკოვში.

ზ. კოსმოდემიანსკაია.

კოსმოდრომი (*კოსმოსი* და ბერძნ. dromos — რბენა; სარბენი ადგილი), ნაგებობების, მოწყობილობებისა და მიწის ნაკვეთის კომპლექსი, სადაც ხდება კოსმოსური რაკეტების მიღება, აწყობა და გაშვება. ჰ-ის მთავარი ობიექტებია: ტექნიკური პოზიცია, სასტარტო კომპლექსი და საკომანდო-საზომი კომპლექსი. ჰ-ს აქვს აგრეთვე დამხმარე ობიექტები და მომსახურების პუნქტები. საზომი პუნქტები კინოთეოდოლიტური სადგურებითა და რადიოტექ. სისტემებით (რაკეტის ფრენის ტრაექტორიის საწყისი უბნების პარამეტრთა გასაზომად), საანგარიშო ბიურო ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით, სათბობის კომპონენტების შესანახი ზონა, თხევადი ჟანგბადის, აზოტისა და წყალბადის ქ-ნები, ენერგომომარაგების, წყალმომარაგების, კავშირგაბმ., სატელევიზიო სისტემები და სხვ.

ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი პ ო ზ ი ც ი ა (ტპ) (საერთო ტექ. და სპეც. ტექნოლ. მოწყობილობების ნაგებობათა კომპლექსი და მისასვლელი გზები) უზრუნველყოფს რაკეტამატარებლისა (რმ) და კოსმოსური ობიექტების (კო) მიღებას, შენახვას, აწყობას, გამოცდას, სათბობით გაწყობას და კო-ს შეპირაპირებას რმ-თან.

ს ა ს ტ ა რ ტ ო კ ო მ პ ლ ე ქ ს ი (ს კ) — სპეც. ტექნოლ. მოწყობილობის, ნაგებობების, მიწის ნაკვეთების, მისასვლელი გზების კომპლექსი, რ-იც საჭიროა ტექ. პოზიციიდან სასტარტო მოედანზე კოსმ. რაკეტის მისატანად, *გაშვების სისტემაზე* დასაყენებლად, გამოსაცდელად, გასაწყობად და გასაშვებად. სკ-ს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სასტარტო მოედანი.

ს ა კ ო მ ა ნ დ ო - ს ა ზ ო მ ი კ ო მ პ ლ ე ქ ს ი (ს-ს კ.) ერთ-ერთი საზომი პუნქტია. უზრუნველყოფს რაკეტამატარებლისა და კოსმ. ხომალდის ფრენის ტრაექტორიის გაზომვას. ჰ-ის შემადგენელი ნაწილებია საკომანდო-საზომი პუნქტები და საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი; მართვის ძირითადი საშუალებებია ტრაექტორიის საზომი, ტელემეტრიული და საკომანდო-პროგრამული აპარატურა, აგრეთვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ტელეგაზომვის შედეგების ავტომ. დამუშავების სისტემები და სხვ.

კოსმოვიზია, კ ო ს მ ო ს უ რ ი ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა, სატელევიზიო მაუწყებლობის



კოსმოდრომი: ა, ბ, გ — კოსმოდრომის სასტარტო პოზიციები; დ — ტექნიკური პოზიცია; 1 — კაბელ-გამწყობი კოშკი; 2 — მომსახურების კოშკი; 3 — კოსმოსური ობიექტების სათბობით გასაწყობი სადგური; 4 — კოსმოსური ობიექტების სამონტაჟო - გამოსაცდელი კორპუსი; 5 — ვერტიკალური აწყობის ნაგებობა; 6 — საკომპრესორო სადგური; 7 — საკომანდო პუნქტი; 8 — მჟანგავის საცავი და გასაწყობი სადგური; 9 — სარესიეერო; 10 — ხანძრის ჩასაქრობი წყლის აუზი; 11 — საკომანდო პუნქტი; 12 — აირმრეკლი; 13 — აირსარინი არხი; 14 — გაშვების სისტემა; 15 — რაკეტების დასამიზნებელ ხელსაწყოთა კოშკი; 16 — მუხლუხებიანი ტრანსპორტიორი; 17 — რადიოლოკაციური სადგური; 18 — თავშესაფარი; 19 — საწვავის საცავი და გასაწყობი სადგური; 20 — წყალბადის საცავი და გასაწყობი სადგური, 21 — მიმართულება ამაორთქლებელი ბაქნებისაკენ

კოსმონავტიკა. რაკეტა—მატარებელი „სოიუზ" სერიის კოსმოსური ხომალდით სასტარტო მოწყობილობაზე.

ქსლით კოსმოსურ სივრცეში ან სხვა პლანეტის ზედაპირზე მოთავსებული კოსმოსური აპარატის ბორტიდან გამოსახულების უშუალოდ გადაცემა და მიღება. გამოსახულების რადიოსიგნალებს ღებულობს დედამიწის რადიოსადგური, გადასცემს ტელევიზორს, საიდანაც ხდება მისი რეტრანსლაცია სსრკ-ის, ევრ. და ამერ. ქვეყნების სატელევიზიო ქსლებით. კ-ს საფუძველი ჩაეყარა 1962 აგვ. კოსმ. ხომალდების „ვოსტოკ 3-ისა" და „ვოსტოკ 4-ის" ბორტებიდან ტელეგამოსახულების გადაცემის შემდეგ.

კოსმოლოგია (*კოსმოსი*... და ...*ლოგია*), მეცნიერების დარგი და მოძღვრება სამყაროზე, როგორც ერთ მთლიანზე. იგი ემყარება იმ სურათებსა და მოვლენებს, რ-ებსაც აკვირდება თანამედროვე ასტრონომია დაკვირვებისათვის მისაწვდომ გალაქტიკურ და მეტაგალაქტიკურ სივრცეში, აღწერს მათ და ხსნის. იგი ემყარება აგრეთვე ფიზ. უნივერს. კანონებს, მეცნ. შემეცნების პრინციპებს, კაცობრიობის თანამედროვე ცოდნის გამოცდილებას. როგორც მეცნიერების, კ-ის ამოსავალია დებულება, რომ ბუნების კანონები, რ-თაც მივაკვლევთ სამყაროს შესასწავლად ამჟამად მისაწვდომ ნაწილში, ვრცელდება სამყაროს უფრო დიდ სივრცეებზე. მაშასადამე, მოდელს, რ-საც ჩამოვაყალიბებთ სამყაროს დაკვირვებადი ნაწილის ანუ, როგორც ამბობენ, „ასტრონომიული სამყაროს" საფუძველზე, მთელი სამყაროსათვის ვთვლით მართებულად.

რამდენადაც ბუნების მოვლენათა და კანონზომიერებათა ცოდნა და მსოფლმხედველობითი პრინციპებიც იცვლება კაცობრიობის ისტ. განვითარების მსვლელობაში, კოსმოლოგიური წარმოდგენებიც იცვლება და ზუსტდება. ყოველ ეპოქაში იმ დროისათვის შემუშავებული მოდელიდან გამომდინარე დასკვნები უნდა დასტურდებოდეს დაკვირვებული მოვლენებით, პრაქტიკით, მასთან, ეს წარმოდგენები საშუალებას უნდა იძლეოდეს სწორად იწინასწარმეტყველონ ახ. მოვლენები. ასე იცვლებოდა კოსმოლოგიური წარმოდგენები ეპოქიდან ეპოქამდე. ყველაზე მაღალი დონის ეტაპი იყო ანტ. ფილოსოფიური სკოლების წარმოდგენები (*დემოკრიტე, პითაგორა, არისტოტელე*). ამ ეპოქის II ნახევარში დამუშავდა სამყაროს პირველი მათ. მოდელი—გ ე ო ც ე ნ ტ რ უ ლ ი სისტემა. მას მოჰყვა კოპერნიკისეული ჰ ე ლ ი ო ც ე ნ ტ რ უ ლ ი სისტემა, ანუ მოძღვრება, რ-თაც დაიწყო რევოლუცია ბუნებისმეტყველებასა და მსოფლმხედველობაში. მაშინვე გამოცხადდა პირველი ფილოს. დასკვნა სამყაროს უსასრულობის შესახებ (ჯ. ბ რ უ ნ ო). ნ ი უ ტ ო ნ ი ს მსოფლიო მიზიდულობის უნივერს. კანონის აღიარება ნიშნავდა, რომ სამყარო განიხილება როგორც სხეულების ერთიანი სისტემა, რ-საც ერთი კანონი მართავს. მიმდინარე ეპოქაში გაბატონებული კ. ემყარება კოპერნიკის შემდგომდროინდელ მონაპოვრებს ასტრონომიასა და ფიზიკაში, განსაკუთრებით აინშტაინისეულ მიზიდულობის რელატივისტურ თეორიას და გარეგალაქტიკური ასტრონომიის მონაცემებს. სივრცე — დროის სიმრუდე, სივრცის სასრულობის შესაძლებლობა, წითელი წანაცვლების კანონი და სამყაროს გაფართოება, ნივთიერების მდგომარეობა კოსმოლოგიურ წარსულში და ამჟამად, თეორმოდინამ. კანონები სამყაროში, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა — ის პრობლემებია, რ-ებიც წამოაყენა ამ ეტაპის კ-მ.

სამყაროს ერთგვაროვანი და იზოტროპიული მოდელი ორ პოსტულატს ემყარება: 1. გრავიტაციული ველი კარგად აღიწერება აინშტაინის განტოლებებით, რაც სივრცე-დროის სიმრუდეს და ამ სიმრუდის მასების სიმკვრივეზე დამოკიდებულებას ნიშნავს; 2. სამყაროში არ გამოიყოფა რაიმე განსაკუთრებული წერტილი ან წერტილები და მიმართულება ან მიმართულებანი; ყველა ისინი ტოლუფლებიანნი არიან. თუ მასის გამოანგარიშებისას მხოლოდ ნივთიერებას გავითვალისწინებთ, დასაშვებია სამყაროს მოდელის ორი სახესხვაობა: სივრცის სიმრუდე უარყოფითია ან ნულია (ზღვრული შემთხვევა); სამყარო უსასრულოა და მასში ნებისმიერ ორ წერტილს შორის მანძილი დროის მსვლელობისას უსასრულოდ იზრდება (ე. წ. ღია მოდელი). სიმრუდე დადებითია, სამყარო სასრულია, მაგრამ არა აქვს საზღვარი (ჩაკეტილი მოდელი); დროის მსვლელობაში გაფართოება შეკუმშვით იცვლება. თითოეულ მოდელში ევოლუციის დროს სიმრუდე ცვალებადობს, მაგრამ ნიშანს ინარჩუნებს. ევოლუციის საწყის სტადიაზე არსებობდა უსასრულო სიმკვრივის მასა და უსასრულო სიმრუდე, აფეთქებით გამოწვეული გაფართოება კი შემდგომში ნელდება. აღიარებულია მესამე („ცხელი სამყაროს") პოსტულატიც: ნივთიერების საწყისი ტემპ-რა მეტად მაღალია და ნივთიერება წარმოადგენს ელემენტარული ნაწილაკების ნარევს. ამასთან, როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, ასეთი ნარევის მდგომარეობას მოჰყვება მსუბუქ ბირთვებად (წყალბადი, ჰელიუმი) გარდაქმნათა ეტაპი, შემდგომ კი (ძირითადად ვარსკვლავთა წიაღში მიმდინარე თერმობირთვული რეაქციების საფუძველზე) დანარჩენი ქიმ. ელემენტების თანამიმდევრული ჩამოყალიბების ეტაპები. „ცხელი სამყაროს" კონცეფცია, აგრეთვე სამყაროს გაფართოების (ანუ არასტაციონარობის) და იზოტროპიის პოსტულატები დასტურდება ჩვენს ეპოქაში წარმოებული ასტრონ. დაკვირვებებით. 1965 აღმოაჩინეს რელიქტური რადიოგამოსხივება, რ-ის თვისებები ისეთია, როგორც ადრე იწინასწარმეტყველეს. სამყაროს დაკვირვებადი ნაწილის გაფართოება, რაც მოწმდება გალაქტიკების სპექტრებში ხაზების წითელი წანაცვლების კანონზომიერებებით, ადასტურებს მის არასტაციონარულობას. მიუხედავად იმისა, რომ კ-მ, როგორც მეცნიერებამ, ჩვენს ეპოქაში მაღალ დონეს მიაღწია, მის წინაშე დგას კიდევ ამოუხსნელი საკითხები, მაგ., ატომბირთვის სიმკვრივეზე უფრო მკვრივი ნივთიერების შესწავლა, მეტაგალაქტიკის ერთადერთობა თუ მისი სტადიურობა კოსმ. სისტემათა იერარქიის კიბეზე, სამყაროს სიმრუდის ნიშანი, სამყაროს არასიმეტრიულობა ნივთიერება-ანტინივთიერების გავრცელების თვალსაზრისით და სხვ. კ-ის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს კაცობრიობის ცოდნის გაღრმავება მეტაგალაქტიკური ასტრონ. დარგში, აგრეთვე მიკროსამყაროსა და მატერიის ახ. ფუნდამენტურ თვისებათა მიკვლევა.

ლიტ.: Гуревич Л. Э., Чернин А. Д., Введение в космогонию. М., 1978; Зельманов А. Л., Космология, წგბ: Физический энциклопедический словарь, т. 2, М., 1962; Наблюдательные основы космологии. Сб., М., 1965.

ე. ხარაძე.

კოსმონავტთა ზღვა, ეანაპირა ზღვა სამხრ. ოკეანის ინდოეთის სექტორში, ანტარქტიდის ნაპირებთან, ენდერბის მიწასა და რიფელ-ლარსენის ზღვას შორის, რ-ისგანაც გამოყოფილია გუნერუსის წყალქვეშა ქედით. ფართ. 698,6 ათ. *კმ*², უდიდესი სიღრმე 5000 *მ*-ზე მეტი. თითქმის მთელი წლის მანძილზე დაფარულია მოდრეიფე ყინულით. ბევრია აისბერგი. კ. ზ-ის ნაპირზეა საბჭ. მეტეოროლ. ცენტრი მოლოდიოჟნაია და იაპ. სამეცნ. სადგური სიოვა. სახელი უწოდეს 1962 საბჭ. ანტარქტ. ექსპედიციის წევრებმა პირველი კოსმონავტების პატივსაცემად.

კოსმონავტი (*კოსმოსი* და ბერძნ. nautēs — ზღვაოსანი), ა ს ტ რ ო ნ ა ვ ტ ი, ადამიანი, რ-იც ცდის კოსმოსურ ტექნიკას და ექსპლუატაციას უწევს მას კოსმოსში ფრენისას. ეს პროფესია წარმოიშვა კოსმოსში ადამიანის შეღწევის შედეგად (1961). კ-ების პირველ კანდიდატებს არჩევდნენ სამხ. მფრინავებში (სსრკ) და გამომცდელ მფრინავებში (აშშ), ვინაიდან აუცილებელი თვისებები (ფრენის მაღალი ოსტატობა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, ხმაურის, ვიბრაციის, აჩქარების კარგად გადატანა, დაკვირვებათა წარმოების გამოცდილება და ა. შ.) სწორედ ამ პროფესიების პირებისთვისაა დამახასიათებელი. მოგვიანებით როგორც სსრკ-ში, ასევე აშშ-ში, კოსმ. ხომალდების ეკიპაჟებში შეიყვანეს აუცილებელი სპეც. მომზადების მქონე ინჟინრები, ექიმები და მეცნიერები. სსრკ-ში კ-ის მომზადება დაიწყო 1960-იდან, აშშ-ში „მერკურის" ტიპის კოსმ. ხომალდებისათვის — 1959-იდან, „ჯემინი" და „აპოლონი"-სთვის —1962-იდან. კ-ების სრული სია (1980 წ. 26 ნოემბრისთვის) იხ. 1 და 2 ცხრილში.

კოსმონავტიკა (*კოსმოსი* და ბერძნ. nautikē — ზღვაოსნობა), ფრენა კოსმოსურ სივრცეში; აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დარგების ერთობლიობა, რ-ებიც სხვადასხვა ტიპის *კოსმოსური საფრენი აპარატების* გამოყენებით უზრუნველყოფენ კოსმოსის ათვისებას. კ. წყვეტს კოსმ. ფრენის თეორიის, სამეცნ.-ტექ., სამედ.-ბიოლ. და სხვა პრობლემებს: კოსმ. რაკეტების, ძრავების, მართვის საბორტო სისტემების, ავტომ. სადგურებისა და პილოტირებული ხომალდების, დედამიწაზე განლაგებული მართვის სისტემებისა და სხვ. დამზადება; სიცოცხლის უზრუნველყოფის საბორტო სისტემების შექმნა; რადიაციასა და უწონადობასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე კოსმოსის ათვისების იურიდიული საკითხების დამუშავება და სხვ.

კაცობრიობა ძველთაგანვე ესწრაფოდა კოსმოსში ფრენას. ამას მოწმობს ძვ. ბერძნ. მითი იკაროსის გაფრენის შესახებ მზისკენ, მთვარეზე გაფრენათა მეცნ.-ფანტასტ. აღწერები და სხვ. კოსმ. სივრცეში

ცხრ. 1. საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტები (ნაჩვენებია გაფრენის თარიღი და ფრენის ხანგრძლივობა)

ი. გაგარინი 12. IV. 1961
გ. ტიტოვი 6 — 7. VIII. 1961.
ა. ნიკოლაევი 11—15. VIII. 1962; 1—19. VI. 1970*
პ. პოპოვიჩი 12—15. VIII. 1962; 3—19. VII. 1974*
ვ. ბიკოვსკი 14—19. VI. 1963; 15—23. IX. 1976*; 26. VIII—3. IX. 1978*
ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა 16—19. VI. 1963
ვ. კომაროვი 12—13. X. 1964*; 23—24. IV. 1967
ბ. ეგოროვი 12—13. X. 1964
კ. ფეოქტისტოვი 12—13. X. 1964
ა. ბელიაევი 18—19. III. 1965*
ა. ლეონოვი 18—19. III. 1965; 15—21. VII. 1975*
გ. ბერეგოვოი 26—30. X. 1968
ვ. შატალოვი 14—17. I. 1969*; 13—18. X. 1969*; 23—25. IV. 1971*
ბ. ვოლინოვი 15—18. I. 1969*; 6. VII—24. VIII. 1976*
ა. ელისეევი 15—17. I. 1969; 13—18. X. 1969; 23—25. IV. 1971
ე. ხრუნოვი 15—17. I. 1969
გ. შონინი 11—16. X. 1969*
ვ. კუბასოვი 11—16. X. 1969; 15—21. VII. 1975; 26. V—3. VI. 1980*
ა. ფილიპჩენკო 12—17. X. 1969*; 2—8. XII. 1974*
ვ. გორბატკო 12—17. X. 1969; 7—25. II. 1977*; 23—31. VII. 1980*
ვ. ეოლკოვი 12—17. X. 1969; 6—30. VI. 1971
ვ. სევასტიანოვი 1—19. VI. 1970; 24. V—26. VII. 1975
ნ. რუკავიშნიკოვი 23—25. IV. 1971; 2—8. XII. 1974; 10—12. IV. 1979*
გ. დობროვოლსკი 6—30. VI. 1971*
ვ. პაცაევი 6—30. VI. 1971
ვ. ლაზარევი 27—29. IX. 1973*
ო. მაკაროვი 27—29. IX. 1973; 10—16. I. 1978
პ. კლიმუკი 18—26. XII. 1973*; 24. V—26. VII. 1975*; 27. VI—5. VII. 1978*

ფრენის შესაძლებლობა პირველად რუსმა მეცნიერმა *კ. ციოლკოვსკიმ* დაასაბუთა მე-19 ს. ბოლოს. ამავე პრობლემას მიეძღვნა ი. მეშჩერსკის (1897-იდან), ი. კონდრატიუკის (1919—29), ფ. *ცანდერისა* (1928—32) და სხვ., აგრეთვე უცხოელ მეცნიერთა — რ. ენო-პელტრის (საფრანგეთი, 1913), რ. გოდარდის (აშშ, 1919) და სხვ. შრომები. XX ს. 20-იან წლებში დაარსდა ჯ-ის პირველი საზ-ბები. რაკეტული ტექნიკის დარგში სსრკ-ში სამუშაოები დაიწყო 1921. 1929-იდან ვ. *გლუშკომ* დაიწყო ელექტრული და სითხიანი ძრავების მქონე რაკეტების დამუშავება. 1932 კვლევაში ჩაება რეაქტიული მოძრაობის შემსწავლელი ჯგუფი ს. *კოროლიოვის* ხელმძღვანელობით. აშშ-ში სითხიანი რაკეტები 1926 გაუშვეს, გერმანიაში კი ჰ. ობერტმა დაიწყო მათი გამოცდა 1929. II მსოფლიო ომის დროს გერმანიამ შექმნა ამ ტიპის რაკეტები, რ-თა ფრენის სიშორე 250—300 *კმ* იყო, ომის შემდეგ კი სხვა ქვეყნებმა შექმნეს კონტინენტთშორისი რაკეტები. ამ სამუშაოებმა მოამზადა ჯ-ის საფუძველი.

კ ო ს მ ო ს უ რ ი ე რ ა დაიწყო 1957 წ. 4 ოქტ., როდესაც სსრკ-მა გაუშვა პირველი *დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი* (დხთ). ჯ-ის შემდეგი მნიშვნელოვანი საფეხურები იყო 1961 წ. 12 აპრ. ი. *გაგარინის* პირველი კოსმ. ფრენა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე და 1969 წ. 16—24 ივლ. ნ. *არმსტრონგის*, ე. *ოლდრინისა* და მ. *კოლინზის* (აშშ) პირველი გაფრენა მთვარეზე. ჯ-ის მასშტაბებზე მეტყველებს ის, რომ დღემდე გაშვებულია 2000-ზე მეტი ამერ. და საბჭ. დხთ, მრავალი საპლანეტათშორისო ავტომ. სადგური, კოსმ. ფრენაში მონაწილეობდა ათეულობით კოსმონავტი. დხთ-ები გაუშვეს სხვა ქვეყნებმაც: საფრანგეთმა (1965), იაპონიამ და ჩინ. სრ-მ (1970), ინგლისმა (1971) და სხვ.

პრაქტ. ჯ-ის ფუძემდებელი ს. კოროლიოვია. იგი ხელმძღვანელობდა პირველი დხთ-ების შექმნას, მისივე ხელმძღვანელობით ააგეს „ლუნა" სერიის კოსმ. ხომალდები („ლუნა-9-ის" ჩათვლით, რ-იც რბილად დაეშვა მთვარეზე), „ვოსტოკ" და „ვოსხოდ"; აგრეთვე „ზონდ" და „ვენერა" ტიპის ხომალდები. დიდი როლი შეასრულეს მ. იანგელის, გ. ბაბაკინის, ა. ისაევისა და სხვა საბჭ. მეცნიერების ხელმძღვანელობით მომუშავე საკონსტრუქტორო ბიუროებმაც.

კოსმ. ფრენების თეორია ემყარება *ცის მექანიკას*, განსაკუთრებით მის ახალ მიმართულებას — *ასტროდინამიკას*. ჯ-ს ესაჭიროება კოსმ. აპარატების ოპტიმალური ტრაექტორიების დამუშავება და მრავალი შემამფოთებელი ძალის (პლანეტათა მიზიდულობა, აეროდინამიკური დამუხრუჭება, მზის რადიაციის წნევა და სხვ.) გავლენით ტრაექტორიების ცვლილების გამოთვლა, ზოგჯერ საჭიროა ძრავათა მუშაობა ხანგრძლივი ინტერვალებით (გაფრენა მთვარეზე, პლანეტებზე და სხვ., როდესაც ბოლო ეტაპებზე ორბიტის შეცვლა ხდება საჭირო).

ასტროდინამიკის მნიშვნელოვანი დარგია ფრენის ტრაექტორიის კორექციის თეორია. რეალური ტრაექტორია გათვლილისაგან განსხვავდება როგორც შემამფოთებელი ძალებით გამოწვეული დამახინჯების, ისე ძრავას გამორთვის მომენტში ხომალდის საჭირო სიჩქარისა და მიმართულების არაზუსტად რეალიზების გამო. თვით კორექცია ხორციელდება ძრავას ხანმოკლე ჩართვით, რისთვისაც აუცილებელია ფაქტობრივი ტრაექტორიის განსაზღვრა ციურ მნათობებზე დაკვირვებათა გზით.

რაკეტული ტექ. შექმნა რთული ამოცანაა. მატარებელი რაკეტების სასტარტო მასა 3000 ტ აღწევს, ზომა — 100 *მ*. მასის 90% საწვავზე მოდის. საწვავის ხარჯვის გამო დაცარიელებული ავზები ზედმეტი ხდება და მათ მოსაცილებლად რაკეტების მრავალსაფეხურიან კონსტრუქციებს იყენებენ. ჯერჯერობით გამოიყენება თხევადი, იშვიათად — მყარი საწვავი. მომავალში, განსაკუთრებით შორი პლანეტებისაკენ პილოტირებული ხომალდების გასაგზავნად, აუცილებელი იქნება მეტად დიდი ენერგია, რისთვისაც ბირთვულ საწვავს გამოიყენებენ. მოწყობილობებს შორის უმთავრესია ძრავას დანადგარი და მართვის სისტემები. საწვავის წვა მაღალი წნევისა და ტემპ-რის პირობებში ხდება. ამასთან დაკავშირებით ისმება დანადგარის გაცივების, წვის მდგრადი პროცესის შექმნის და სხვა ამოცანები. მართვის დანადგარი რამდენიმე ავტომ. (დედამიწიდან ჩაურევლად მომუშავე), სინქრონული მართვის სისტემისაგან შედგება. ეს სისტემები საზღვრავენ მატარებელი რაკეტის მყისიერ კუთხურ მდებარეობას და მასზე მოქმედ აჩქარებას. ამ მონაცემებით ელექტრონული გამომთვლელი მანქანა საზღვრავს ტრაექტორიას და უზრუნველყოფს ძრავას გამორთვის მომენტში ხომალდის საჭირო მიმართულებასა და სიჩქარეს.

გაშვების მიზნით მატარებელი რაკეტა სამონტაჟო-გამოსაცდელი კორპუსიდან გადააქვთ სასტარტო მოედანზე, საიდანაც გამოცდის და საწვავით ავსების შემდეგ ხდება მისი გაშვება. ორბიტაზე გაყვანა მთავრდება პირველი *კოსმოსური სიჩქარის* (≈7,91 *კმ/წმ*) მინიჭების შემდეგ (დხთ-ებისათვის) ან მეორე კოსმ. სიჩქარის (≈11,19 *კმ/წმ*) მიახლოვებისას (მთვარის, ვენერასა და მარსისაკენ გაშვებული ხომალდებისათვის). შორი პლანეტებისაკენ ან მზისაკენ გაშვებისას კიდევ უფრო მეტი სიჩქარის მიღწევაა საჭირო. ამის შემდეგ მატარებელი რაკეტა მოსცილდება ხომალდს, რ-იც ძირითადად ინერციით აგრძელებს ფრენას ცის მექანიკის კანონების შესაბამისად. თუ ნავარაუდევია კოსმ. ხომალდის ტრაექტორიის შემდგომი ცვლა (მაგ., მთვარის ან პლანეტის თანამგზავრის ორბიტაზე გადასაყვანად, ციურ სხეულზე დასაშვებად, მისგან ასაფრენად და დედამიწისაკენ ტრაექტორიაზე გასაყვანად), ხომალდზე უნდა იყოს სხვადასხვა სიმძლავრის ძრავიანი საფეხურები.

ხანგრძლივი ფუნქციონირებისათვის კოსმ. აპარატებზე აუცილებელია სხვადასხვა სისტემები (სტაბილური ტემპ-რული რეჟიმის უზრუნველმყოფი, ენერგოკვების, დედამიწასთან კავშირის, მართვის და სხვ. სისტემები). მართვა გულისხმობს: კოსმ. აპარატის ორიენტაციის მართვას, მართვას ორბიტის კორექციის დროს, ციურ სხეულზე დაშვებისას, სხვა აპარატებთან მიახლოვებისას და ა. შ. განასხვავებენ არამართვად ანუ ბალისტიკურ და მართვით დაშვებას. დაშვების უსაფრთხოებისათვის ხომალდს აქვს თბომედეგი საფარი.

ხომალდის ბორტზე კვლევის ხელსაწყოებიცაა, მ. შ. ზოგჯერ საკმაოდ დიდი ტელესკოპებიც. პილოტირებულ კოსმ. აპარატებზე დამატებით არის მთელი რიგი სისტემები, რ-თა დანიშნულებაა ხომალდში მუდმივი ტემპ-რული რეჟიმის, წნევის, ატმოსფეროს შენარჩუნება. ხანმოკლე ფრენისას ხომალდზე კვების პროდუქტებისა და წყლის საკმაო მარაგია, ხანგრძლივი ფრენისას კი საჭიროა წყლის რეგენერაცია და კვების პროდუქტების წარმოება. უწონადობის, დიდი გადატვირთვისა და სხვ. გამო აუცილებელია კოსმონავტთა სამედ. შერჩევა.

კოსმ. საფრენი აპარატების ციურ სხეულებზე დაშვებისას უნდა შესრულდეს სპეც. ხელსაწყოთა განლაგების ვრცელი ამოცანები. შემდგომში საჭირო იქნება სტაციონარული კვლევითი ბაზების დაარსებაც.

კოსმ. ხომალდების ფრენის განსახორციელებლად მათ უწყვეტად აკვირდებიან დედამიწის მართვის სამსახურის პუნქტი-

კოსმონავტიკა. რაკეტა — მატარებელი კოსმოსური ხომალდით „პოლონ — 11" სტარტის მომენტში.

ვ. ლებედევი 18—26. XII. 1973

ი. არტიუხინი 3—19. VII. 1974

გ. სარაფანოვი 26—28. VIII. 1974*

ლ. დიომინი 26—28. VIII. 1974

ა. გუბარევი 11. I—9. II. 1975*; 2—10. III. 1978*

გ. გრეჩკო 11. I—9. II. 1975; 10. XII. 1977—16. III. 1978

ვ. ჟოლობოვი 6. VII—24. VIII. 1976

ვ. აქსიონოვი 15—23. IX. 1976; 5—9. VI. 1980

ვ. ზუდოვი 14—16. X. 1976*

ვ. როჟდესტვენსკი 14—16. X. 1976

ი. გლაზკოვი 7—25. II. 1977

ვ. კოვალიონოკი 9—11. X. 1977*; 15. VI—2. XI. 1978*

ვ. რიუმინი 9—11 X. 1977; 25. II—19. VIII. 1979; 9. IV—11. X. 1980

ი. რომანენკო 10. XII. 1977—16. III. 1978*; 18—26. IX. 1980*

ვ. ჯანიბეკოვი 10—16. I. 1978*

ვ. რემეკი (ჩეხოსლოვაკია) 2—10. III. 1978

ა. ივანჩენკოვი 15. VI—2. XI. 1978

მ. გერმაშევსკი (პოლონეთი) 27. VI—6. VII. 1978

ზ. იენი (გდრ) 26. VIII—3. IX. 1978

ვ. ლიახოვი 25. II—19. VIII. 1979*

გ. ივანოვი (ბულგარეთი) 10—12. IV. 1979

ლ. პოპოვი 9. IV—11. X. 1980*

ბ. ფარკაშ (უნგრეთი) 26. V—3. VI. 1980

ი. მალიშევი 5—9. VI. 1980*

ფ. ტუანი (ვიეტნამი) 23—31. VII. 1980

ა. მენდესი (კუბა) 18—26. IX. 1980

ცხრ. 2. ამერიკელი კოსმონავტები

ა. შეპარდი 5. V. 1961; 1—10 II. 1971*

ვ. გრისომი 21. VII. 1961; 23. III. 1965*

ჯ. გლენი 20. II. 1962

მ. კარპენტერი 24. V. 1962

უ. შირა 3. X. 1962; 15—16. XII. 1965*; 11—22. X. 1968*

გ. კუპერი 15—17. V. 1963; 21—29. VIII. 1965*

ჯ. იანგი 23. III. 1965; 18—21. VII. 1966*; 18—26. V. 1969; 16—27. IV. 1972*

ჯ. მაკდივიტი 3—7. VI. 1965*; 3—13. III. 1969*

ე. უაიტი 3—7. VI. 1965

ჩ. კონრადი 21—29. VIII. 1965; 12—15. IX. 1966*; 14—24. XI. 1969*; 25. V—22. VI. 1973*

ფ. ბორმანი 4—18. XII. 1965*; 21—27. XII. 1968*

ჯ. ლოველი 4—18. XII. 1965; 11—15. XI. 1966*; 21—27. XII. 1968; 11—17. IV. 1970*

ტ. სტეფორდი 15—16. XII. 1965; 3—6. VI. 1966*; 18—26. V. 1969*; 15—25. VII. 1975*

ნ. არმსტრონგი 16—17. III. 1966*; 16—24. VII. 1969*

დ. სკოტი 16—17. III. 1966; 3—13. III. 1969; 26. VII—7. VIII. 1971*

ი. სერნანი 3—6. VI. 1966; 18—26. V. 1969; 7—19. XII. 1972*

მ. კოლინზი 18—21. VII. 1966; 16—24. VII. 1969

რ. გორდონი 12—15. IX. 1966; 14—24. XI. 1969

ე. ოლდრინი 11—15. XI. 1966; 16—24. VII. 1969

დ. ეიზელი 11—22. X. 1968

უ. კანინგემი 11—22. X. 1968

უ. ანდერსი 21—27. XII. 1968

რ. შვეიკარტი 3—13. III. 1969

ა. ბინი 14—24. XI. 1969; 28. VII—26. IX. 1973*

ჯ. სუიჯერტი 11—17 IV. 1970

ფ. ჰეიზი 11—17. IV. 1970

ე. მიჩელი 1—10. II. 1971

ს. რუსა 1—10. II. 1971

ჯ. ირვინი 26. VII—7. VIII. 1971

ა. უორდენი 26. VII—7. VIII. 1971

ჩ. დიუკი 16—27. IV. 1972

ტ. მეტინგლი 16—27. IV. 1972

რ. ევანზი 7—19. XII. 1972

ჰ. შმიტი 7—19. XII. 1972

ბ. ვეიცი 25. V—22. VI. 1973

ჯ. კერვინი 25. V—22. VI. 1973

ო. გერიოტი 28. VII—26. IX. 1973

ჯ. ლუსმა 28. VII—26. IX. 1973

ჯ. კარი 16. XI. 1973—8. II. 1974*

ე. გიბსონი 16. XI. 1973—8. II. 1974

უ. პოუგი 16. XI. 1973—8. II. 1974

ვ. ბრენდი 15—25. VII. 1975

დ. სლეიტონი 15—25. VII. 1975

* ხომალდის მეთაური.

ბიდან. დედამიწაზე ხომალდების დაბრუნების უზრუნველსაყოფად კი გადარჩენისა და ევაკუაციის სპეც. სამსახურები მუშაობენ. ისინი ახდენენ აპარატის მოძებნასა და გადატანას, პილოტირებული ფრენის შემთხვევაში კი — კოსმონავტებისათვის სამედ. დახმარების აღმოჩენას, კარანტინის ღონისძიებებს და სხვ.

კ. ახორციელებს სამეცნ. კვლევას და უშუალოდ მონაწილეობს სახ. მეურნ. ამოცანების შესრულებაში. მაგ., მაღალ ორბიტაზე მოძრავ დხთ-ებს იყენებენ სატელეფონო, სატელეგრაფო და სატელევიზიო სიგნალთა რეტრანსლაციისათვის დედამიწის ზედაპირის ძლიერ დაშორებულ პუნქტებში, მეტეოროლ. დხთ-ების საშუალებით ადგენენ დედამიწაზე ღრუბლიანობის გავრცელების რუკებს, აკვირდებიან ციკლონთა მოძრაობას და სხვ., რის საფუძველზე ადგენენ ამინდის გრძელვადიან პროგნოზებს. საზღვაო და საავიაციო სანავიგაციო სამსახურები იყენებენ სანავიგაციო დთხ-ებს, რ-თა ტრაექტორიები ძალზე დიდი სიზუსტითაა განსაზღვრული. ამ უკანასკნელთაგან მიღებული მიმდინარე კოორდინატების საშუალებით გემებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟები ადვილად ადგენენ თავიანთ მდებარეობას.

დიდია დხთ-ების როლი დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლაში. დხთ-ებიდან სხვადასხვა შუქფილტრების გამოყენებით დედამიწის ზედაპირის უწყვეტი ფოტოგრაფირება გვაძლევს .დედამიწაზე მცენარეული საფარის განაწილების სურათს, წარმოდგენას თოვლის საფრის, მდ-ების, ტყეების, ნათესების მდგომარეობაზე. ამასთან, საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ ტყის ხანძრები, თვალი ვადევნოთ მინდვრის სამუშაოებს, ვაწარმოოთ ოკეანოლოგიური და ჰიდროლ. კვლევა. დხთ-ები გამოიყენება კარტოგრაფიისა და გეოდეზიის მრავალი ამოცანის გადასაწყვეტად, მაგ., საყრდენი გეოდ. ქსლების შესადგენად (იხ. *კოსმოსური გეოდეზია*). დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგი ტექნოლ. პროცესის ჩატარებას დხთ-ებზე უწონადობის პირობებში. იქმნება სპეც. დანიშნულების, მაგ., სამზეო, ასტრონ., გეოფიზ., გეოდ., მეტეოროლ., კავშირგაბმულობის დხთ-ები, აგრეთვე მუდმივმოქმედი ორბიტული ობსერვატორიები, რ-ებზეც კოსმონავტთა ეკიპაჟები პერიოდულად შეიცვლებიან.

კ-ის უახლოესი ამოცანაა მთვარისა და პლანეტების გაძლიერებული შესწავლა და ამ სხეულებზე სამეცნ. ბაზების მოწყობა. ამჟამად ეწყობა ავტომ. სადგურების ფრენები მარსზე, იუპიტერზე, ვენერაზე და სხვ. XX ს. 80—90-იან წლებში გათვალისწინებულია პილოტირებული ხომალდების გაგზავნა მარსზე (მოგზაურობის ხანგრძლივობა 3 წ). შორეული პლანეტების შესწავლა, ექსპედიციები მზისკენ და მზის სისტემის გარეთ გასვლა დიდ ენერგეტიკულ დანახარჯებს და კ-ის უფრო მაღალ დონეს მოითხოვს. კოსმ. ერის ძირითადი მოვლენების შესახებ იხ. ცხრილში.

კოსმოპოლიტები (ბიოლ.), ცხოველების ან მცენარეების სახეობები, გვაყარები, ოჯახები ან უფრო მსხვილი სისტემატიკური ჯგუფები, რ-ებიც მთელ (ან თითქმის მთელ) დედამიწაზე არიან გავრცელებული. უმაღლესი რანგის კ-ს მიეკუთვნება . მარცვლოვანთა ოჯახი, ბელურასნაირთა . რიგი. კ-ს უპირისპირდებიან *ენდემები* — მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე გაავრცელებული ორგანიზმები.

კოსმოპოლიტიზმი (ბერძნ. kosmopolitēs — კოსმოპოლიტი, მსოფლიოს მოქალაქე). ე. წ. „მსოფლიო მოქალაქეობის იდეოლოგია". კ-ის შინაარსი იცვლებოდა კონკრეტულ-ისტორ. პირობების შეცვლასთან დაკავშირებით.

კ-ის იდეები წამოაყენეს ჯერ . კიდევ ანტ. პერიოდის საბერძნეთში. ზოგი ფიქრობდა ისეთ საზ. ფორმაზე, რ-ი-იც შესაძლებელს გახდიდა ყოველი ადამიანის ცხოვრების წარმართვას ერთიანი ; მსოფლიო კანონის მიხედვით (სტოიკოსსები). ზოგი აცხადებდა, რომ „სამშობლო ? იქაა, სადაც უკეთესად იგრძნობ თავსო". . ფეოდალიზმის, აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქაში აყენებდნენ სხვადასხვა ხასიათის კოსმოპოლიტურ იდეებს.

კ. ქადაგებს მსოფლიო ეკონომიკის, მსოფლიო პოლიტ. ინტეგრაციის, . ზეეროვნული და სახელმწიფოთაშორისი მონოპ. ორგანიზაციების შექმნის ი იდეებს

კოსმოსური ერის ზოგიერთი ძირითადი მოვლენა

(ნაჩვენებია კოსმოსური ხომალდების გაშვების თარიღი და ფრენის ძირითადი მონაცემები).

4. X. 1957.
პირველი დხთ „სპუტნიკი" (სსრკ).

3. XI. 1957.
ბიოლ. დხთ „სპუტნიკ-2" (სსრკ).

1. II. 1958.
„ექსპლორერ" სერიის პირველი ამერ. დხთ.

15. V. 1958.
დხთ „სპუტნიკ-3" (გეოფიზ. ლაბორატორია) (სსრკ).

2. I. 1959.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „ლუნა-1" ჩაუფრინა მთვარეს; პირველი მზის ხელოვნური თანამგზავრი (სსრკ).

3. III. 1959.
პირველი ამერ. მზის ხელოვნური თანამგზავრი „პიონერ-4" (აშშ).

12. IX. 1959.
ავტომ. სადგურმა „ლუნა-2" 1959 წ. 14 სექტ. მიაღწია მთვარის ზედაპირს (სსრკ).

4. X. 1959.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „ლუნა-3" შემოუფრინა მთვარეს, გადაიღო მისი უკანა მხარის გამოსახულება და გადმოსცა იგი დედამიწაზე (სსრკ).

1. IV. 1960.
„ტიროს" სერიის მეტეოროლ. დხთ (აშშ).

13. IV. 1960.
„ტრანზიტ" სერიის სანავიგაციო დხთ (აშშ).

12. II. 1961.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „ვენერა-1" 1961 წ. 19—20 მაისს ჩაუფრინა ვენერას (სსრკ).

12. IV. 1961.
კოსმონავტ ი. გაგარინის პირველი დედამიწისირგვლივი ფრენა ხომალდ-თანამგზავრ „ვოსტოკით" (სსრკ).

5. V. 1961.
კოსმონავტ ა. შეპარდის პირველი სუბორბიტული ფრენა ხომალდ „მერკურით" (აშშ).

6. VIII. 1961.
კოსმონავტ გ. ტიტოვის 1-დღეღამიანი დედამიწისირგვლივი ფრენა ხომალდ-თანამგზავრ „ვოსტოკ-2-ით" (სსრკ).

20. II. 1962.
კოსმონავტ ჯ. გლენის პირველი ორბიტული ფრენა ხომალდ „მერკურით" (აშშ).

7. III. 1962.
OSO სერიის პირველი მზის საკელვევი დხთ (აშშ).

16. III. 1962.
„კოსმოს" სერიის პირველი დხთ (სსრკ).

23. IV. 1962.
„რეინჯერ" სერიის პირველმა ავტომ. სადგურმა 1962 წ. 26 აპრ. მიაღწია მთვარის ზედაპირს და გადაიღო მისი სურათი (აშშ).

11 და 12. VIII. 1962.
კოსმონავტების ა. ნიკოლაევისა და პ. პოპოვიჩის პირველი ჯგუფური ფრენა ხომალდ-თანამგზავრებით „ვოსტოკ-3" და „ვოსტოკ-4-ით" (სსრკ).

27. VIII. 1962.
„მარინერ" სერიის პირველმა ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა ჩაუფრინა ვენერას და განახორციელა მისი კვლევა 1962 წ. 14 დეკ. (აშშ).

31. X. 1962.
გეოდ. დხთ „ენნ—1 B" (აშშ).

1. XI. 1962.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „მარს-1" 1963 წ. 19 ივნ. ჩაუფრინა მარსს (სსრკ).

16. VI. 1963.
პირველი კოსმონავტი ქალის ვ. ტერეშკოვას დედამიწისირგვლივი ფრენა ხომალდ „ვოსტოკ-6-ით" (სსრკ).

1. XI. 1963.
„პოლიოტ" სერიის პირველი სამანევრო ავტომ. დხთ (სსრკ).

19. VIII. 1964.
კავშირგაბმულობის დხთ-ის „სინკომ-3" გაყვანა სტაციონარულ ორბიტაზე (აშშ).

12. X. 1964.
კოსმონავტების ვ. კომაროვის, კ. ფეოქტისტოვისა და ბ. ეგოროვის დედამიწისირგვლივი ფრენა სამადგილიან ხომალდ „ვოსხოდით" (სსრკ).

28. XI. 1964.
ავტომ. სადგურმა „მარინერ-4" 1965 წ. 15 ივლ. ჩაუფრინა მარსს და განახორციელა მისი კვლევა (აშშ).

18. III. 1965.
ხომალდ-თანამგზავრ „ვოსხოდ-2-იდან" (პილოტი პ. ბელიაევი) კოსმონავტ. ა. ლეონოვის გასვლა ღია კოსმოსში (სსრკ).

23. III. 1965.
დხთ-ის ორბიტაზე პირველი მანევრი ხომალდ „ჯემინი-3-ისა". რ-ზეც იმყოფებოდნენ კოსმონავტები ვ. გრისომი და ჯ. იანგი (აშშ).

23. IV. 1965.
„მოლნია-1" სერიის პირველი კავშირგაბმულობის ავტომ. დხთ სინქრონულ ორბიტაზე (სსრკ).

16. VII. 1965.
„პროტონ" სერიის პირველი ავტომ. მძიმე სამეცნ.-კვლ. დხთ (სსრკ).

18. VII. 1965.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „ზონდ-3" განმეორებით გადაიღო მთვარის უკანა მხარის გამოსახულება და გადმოსცა იგი დედამიწაზე (სსრკ).

16. XI. 1965.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგურმა „ვენერა-3" 1966 წ. 1 მარტს მიაღწია ვენერას ზედაპირს (სსრკ).

26. XI. 1965.
საფრანგეთის პირველი დხთ „ასტერიკს-1".

4. და 15. XII. 1965.
კოსმონავტების: ფ. ბორმანის, ჯ. ლოველისა და უ. შირას, ტ. სტეფორდის ჯგუფური ფრენა მჭიდრო მიახლოებით, „ჯემინი-7" და „ჯემინი-6" 6 ხომალდ-თანამგზავრებით (აშშ).

31. I. 1966.
ავტომ. საპლანეტათშორისო სა სადგური „ლუნა-9" 1966 წ. 3 თებ. პირველელი დაეშვა რბილად მთვარეზე და დედამიწაზე გადმოსცა მთვარის ფოტოპანჭანორამა (სსრკ).

16. III. 1966.
ხომალდ-თანამგზავრ „ჯემინინი-6-ს" (პილოტები კოსმონავტები ნ არმსტრონგი და დ. სკოტი) ხელით შეპარაპირება რაკეტა „აჯენასთან" (აშშ).

31. III. 1966.
ავტომ. სადგური „ლუნა-10" — — პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრი (სსრკ).

30. V. 1966.
„სერვეიერ" სერიის პირველი ავტომ.ომ. სადგურის რბილად დაშვება მთვარეზე (ე (აშშ).

10. VIII. 1966.
„ლუნარ ორბიტერ" სერიის პირპირველი ავტომ. სადგურის გაყვანა მთვარის ის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე (ე (აშშ).

27. I. 1967.
კოსმ. ხომალდ „აპოლონის" ს" სასტარტო გამოცდისას კაბინაში ხანძრის გაჩენის გამო დაილუპნენ კოსმონავტები: ვ. გრისომი, ე. უაიტი და რ. ჩაფი (ი (აშშ).

23. IV. 1967.
კოსმონავტ ვ. კომაროვის ფრენრენა ხომალდ-თანამგზავრ „სოიუზ-1-ით". . დედამიწაზე დაშვებისას საპარაშუტო სი სისტემის უწესრიგობის გამო კოსმონავტი დაილუპა (სსრკ).

12. VI. 1967.
ავტომ. სადგური „ვენერა-4" 19 1967 წ 18 ოქტ. დაეშვა ვენერაზე და განეანახორციელა მისი ატმოსფეროს კვლევა (ს (სსრკ)

14. VI. 1967.
ავტომ. სადგურმა „მარინერ-5" -5" 19 წ. 19 ოქტ. ჩაუფრინა ვენერას ღა ღა გა.. ხორციელა მისი კვლევა (აშშ).

15. IX. 10. XI. 1968.
ხომალდებმა „ზონდ-5" და „ზონ(ზონდ-6" შემოუფრინეს მთვარეს და დაბრუნრუნდნენ

დედამიწაზე ბალისტიკური და მართული დაშვების გამოყენებით (სსრკ).

7. XII. 1968.
OAO სერიის პირველი ასტრონ. დხთ (აშშ).

19. XII. 1968.
„ინტელსატ-3B" სერიის სტაციონარული კავშირგაბმულობის დხთ (აშშ).

21. XII. 1968.
„აპოლონ-8" ხომალდმა (კოსმონავტები ფ ბორმანი, ჯ ლოველი, უ. ანდერსი) 1968 წ. 24 დეკ. შემოუფრინა მთვარეს მისი თანამგზავრის ორბიტაზე და დაბრუნდა დედამიწაზე (აშშ).

5 და 10. I. 1969.
ვენერას ატმოსფეროს კვლევის განგრძობა „ვენერა-5" (16. V. 1969) და „ვენერა-6" (17 V. 1969) სადგურების მიერ (სსრკ).

14. და 15. I. 1969.
დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე „სოიუზ-4" (კოსმონავტი ვ შატალოვი) და „სოიუზ-5" (კოსმონავტები ბ ვოლინოვი, ა ეელისეევი და ე. ხრუნოვი) ხომალდების პირველი შეპირაპირება. ა. ელისეევი და ე ხრუნოვი ღია კოსმოსში გ ვიდნენ და გადავიდნენ „სოიუზ-4-ში" (სსრკ)

24. II. და 27. III. 1969.
მარსის კვლევის განგრძობა „მარინერ 6" (31 VII. 1969) და „მარინერ-7" (5 VIII 1969) ხომალდებით, რ-ებმაც მარსს ჩაუფრინეს (აშშ).

18. V. 1969.
ხომალდი „აპოლონ-10", რ-ზეც იმყოფებოდნენ კოსმონავტები, ტ. სტეფორდი, ჯ იანგი და ი. სერნანი, 1969 წ. 21 მაისს გავიდა სელენოცენტრულ ორბიტაზე, შემოუფრინა მთვარეს, მოახდინა მანევრირება და დაბრუნდა დედამიწაზე (აშშ).

16. VII. 1969.
პილოტირებული ხომალდის („აპოლონ-11") პირველი დაშვება მთვარეზე. კოსმონავტებმა ნ არმსტრონგმა და ე. ოლდრინმა 21 სთ 36 წთ დაპყვეს მთვარეზე (20-21. VII. 1969), სიმშვიდის ზღვაში; მ. კოლინზი ხომალდის ნაკვეთურში იმყოფებოდა სელენოცენტრულ ორბიტაზე. ფრენის პროგრამის შესრულების შემდეგ კოსმონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ (აშშ).

8. VIII. 1969.
ხომალდმა „ზონდ-7" შემოუფრინა მთვარეს და დაბრუნდა დედამიწაზე მართული დაშვების გამოყენებით (სსრკ).

11, 12 და 13. X. 1969.
კოსმ ხომალდების „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" ჯგუფური ფრენა მანევრებით. კოსმონავტები: გ. შონინი და ვ. კუბასოვი; ა ფილიპჩენკო, ვ. ვოლკოვი, ვ. გორბატკო; ვ. შატალოვი და ა ელისეევი (სსრკ).

14. X. 1969.
„ინტერკოსმოს" სერიის პირველი სამეცნ.-კვლ. დხთ სოციალ. ქვეყნების სამეცნ. აპარატურით (სსრკ).

14. XI. 1969.
პილოტირებული ხომალდის „აპოლონ-12" დაშვება მთვარეზე. ქარიშხლების ოკეანეში. კოსმონავტებმა ჩ. კონრადმა და ა. ბინმა მთვარეზე დაპყვეს 31 სთ 31 წთ (19—20 XI. 1969). რ. გორდონი სელენოცენტრულ ორბიტაზე იმყოფებოდა (აშშ).

11. II. 1970.
იაპონიის პირველი დხთ „ოსუმი".

11. IV. 1970.
ხომალდმა „აპოლონ-13", რ-შიც იმყოფებოდნენ კოსმონავტები ჯ ლოველი, ჯ. სუიჯერტი, ფ. ჰეიზი, შემოუფრინა მთვარეს და დაბრუნდა დედამიწაზე. დაგეგმილი დაშვება მთვარეზე არ განხორციელდა ხომალდში ავარიის გამო (აშშ).

24. IV. 1970.
ჩინეთის სრ-ის პირველი დხთ.

1. VI. 1970.
ა. ნიკოლაევისა და ვ. სევასტიანოვის 425-საათიანი კოსმ. ფრენა „სოიუზ-9" კოსმ. ხომალდით (სსრკ)

17. VIII. 1970.
ავტომ. სადგურის „ვენერა-7" რბილად დაშვება ვენერას ზედაპირზე (სსრკ).

12. IX. 1970.
ავტომ. სადგური „ლუნა-16" 1970 წ. 20 სექტ. რბილად დაეშვა მთვარის ზედაპირზე, სიუხვის ზღვის რაიონში, გაბურღა გრუნტი და მთვარის ქანის ნიმუშები ჩამოიტანა დედამიწაზე (სსრკ).

20. X. 1970.
ხომალდმა „ზონდ-8" შემოუფრინა მთვარეს და დაბრუნდა დედამიწაზე (სსრკ).

10. XI. 1970.
ავტომ სადგურმა „ლუნა-17" მთვარეზე მიიტანა დედამიწიდან რადიომართვადი თვითმოძრავი აპარატი „ლუნოხოდ-1", რ-მაც 11 მთვარის დღე-ღამის განმავლობაში 10,5 კმ გაიარა და გამოიკვლია წყიმების ზღვის რაიონი (სსრკ).

31. I. 1971.
პილოტირებული ხომალდის „აპოლონ-14" დაშვება მთვარეზე კრატერ ფრამაუროს რაიონში. კოსმონავტებმა ა. შეპარდმა და ე. მიჩელმა მთვარეზე 33 სთ 30 წთ დაპყვეს (5—6. II. 1971). ს. რუსა სელენოცენტრულ ორბიტაზე იმყოფებოდა (აშშ)

19. IV. 1971.
პირველი ხანგრძლივმოქმედი პილოტირებული ორბიტული სადგური „სალუტი" (სსრკ).

19. V. 1971.
ავტომ. სადგურ „მარს-2-ის" დასაშვებმა აპარატმა პირველმა მიაღწია მარსის ზედაპირს, ხოლო სადგური 1971 წ. 27 ნოემბ. გავიდა მარსის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე (სსრკ).

28. V. 1971.
ავტომ.-სადგურ „მარს-3-ის" დასაშვები აპარატი პირველი დაეშვა რბილად მარსის ზედაპირზე, ხოლო სადგური მარსის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გავიდა 1971 წ. 2 დეკ. (სსრკ).

30. V. 1971.
ავტომ. სადგური „მარინერ-9"—პირველი მარსის ხელოვნური თანამგზავრი (13. XI.1971) (აშშ)

6. VI. 1971.
კოსმონავტების გ. დობროვოლსკის, ვ. ვოლკოვისა და ვ. პაცაევის 570-საათიანი ფრენა ხომალდ-თანამგზავრ-„სოიუზ-11-ით" და ორბიტულ სადგურ „სალუტით". დედამიწაზე დაშვებისას, ხომალდის კაბინის დეპერმეტიზაციის გამო კოსმონავტები დაიღუპნენ (სსრკ).

26. VII. 1971.
ხომალდის „აპოლონ-15" დაშვება მთვარეზე. კოსმონავტებმა დ. სკოტმა და ჯ. ირვინმა მთვარეზე 66 სთ 55 წთ დაპყვეს (30. VII—2. VIII.1971). ა. უორდენი სელენოცენტრულ ორბიტაზე იმყოფებოდა (აშშ).

28. X. 1971.
ინგლისის პირველი დხთ „პროსპერო", რ-იც ორბიტაზე გაიყვანა ინგლ. რაკეტა-მატარებელმა.

14. II. 1972.
ავტომ. სადგურმა „ლუნა-20" დედამიწაზე ჩამოიტანა მთვარის გრუნტი სიუხვის ზღვის მახლობელი ტერიტორიიდან (სსრკ).

3. III. 1972.
ავტომ სადგურმა „პიონერ-10" ჩაუფრინა ასტეროიდების ზოლს (1972 წ. ივლ. — 1973 წ. თებ.) და იუპიტერს (4. XII. 1973) (აშშ).

27. III. 1972.
ავტომ. სადგური „ვენერა-8" 1972 წ. 22 ივლ. რბილად დაეშვა ვენერას ზედაპირზე და განახორციელა პლანეტის ატმოსფეროსა და ზედაპირის გამოკვლევა (სსრკ).

16. IV. 1972.
ხომალდის „აპოლონ-16" დაშვება მთვარეზე, კოსმონავტებმა ჯ. იანგმა და ჩ. დიუკმა მთვარეზე 71 სთ 02 წთ დაპყვეს (21—24. IV. 1972). ტ. მეტინგლი სელენოცენტრულ ორბიტაზე იმყოფებოდა (აშშ).

7. XII. 1972.
ხომალდის „აპოლონ-17" დაშვება მთვარეზე. კოსმონავტებმა ი სერნანმა და ჯ. შმიტმა მთვარეზე 75 სთ 00 წთ დაპყვეს (11—15. XII. 1972) რ. ეეანზი სელენოცენტრულ ორბიტაზე იმყოფებოდა (აშშ).

8. I. 1973.
ავტომ. სადგურმა „ლუნა-21", 1973 წ. 16 იანვ. მთვარეზე მიიტანა „ლუნოხოდ-2". 5 მთვარის დღე-ღამის განმავლობაში მთვარემავალმა 37 კმ გაიარა (სსრკ).

6. IV. 1973.
ავტომ. საპლანეტათშორისო სადგური „პიონერ-11"; 1974 წ.დეკ. დასაწყისში გაუფრინა იუპიტერს, 1979 ბოლოს—სატურნს (აშშ).

14. V. 1973.
ხანგრძლივმოქმედი პილოტირებული სადგური „სკაილაბი"; კოსმონავტებმა ჩ. კონრადმა, პ. ვეიცმა და ჯ. კერვინმა 25 მაისიდან 28 დღ-ღ დაპყვეს სადგურში, ა. ბინმა, ო. გერიოტმა და ჯ. ლუსმამ 28 ივლ-იდან—59 დღ-ღ., ხოლო ჯ. კარმა, ე. გიბსონმა და უ. პოუგმა 16 ნოემბ-იდან—84 დღ-ღ (აშშ).

17. V. 1974.
პირველი ექსპ. მეტეოროლ. დხთ, გაყვანილი სტაციონარულ ორბიტაზე. SMS-1 (აშშ).

3. VI. 1974.
პირველი ამერ. კვლევითი თანამგზავრი „პოკაის" ტიპისა „ექსპლორერ-52", მზისიერი ქარისა და დედამიწის მაგნ. ველის კვლევისთვის გამიზნული (აშშ).

19. XII. 1974.
პირველი საფრანგეთ-დას. გერმანიის ექსპ. კავშირგაბმულობის თანამგზავრი „სიმფონია-1".

15. XI. 1974.
ესპანეთში დამზადებული პირველი თანამგზავრი „ინტასატ-1".

19. IV. 1975.
ინდოეთის პირველი თანამგზავრი, „არიაბჰატა-1", დამზადებული საბჭ. სპეციალისტების მონაწილეობით.

24. V. 1975.
ვ. კლიმუკისა და ვ. სევასტიანოვის კოსმ. ფრენა „სოიუზ-18-ით", 26 მაისს შეპირაპირეს სადგურ „სალუტ-4-თან", რ-შიც კოსმონავტებმა 63 დღ-ღ იმუშავეს (სსრკ).

8 და 14. VI. 1975.
საპლანეტათშორისო ხომალდების „ვენერა-9" და „ვენერა-10" დასაშვები აპარატები 1975 წ. 22 და 25 ოქტ. რბილად დაეშვნენ პლანეტის განათებულ ნახევარზე და მსოფლიოში პირველად გადმოსცეს პლანეტის ზედაპირის ტელეგამოსახულება. თვითონ ხომალდები ვენერას ხელოვნურ თანამგზავრებად იქცნენ (სსრკ).

15. VII. 1975.
საბჭ. ხომალდ „საიუზ-19-ისა" (კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი) და ამერ. ხომალდ "აპოლონის" (ტ. სტეფორდი, ვ. ბრენდი და დ. სლეიტონი) ერთობლივი ფრენა, ორჯერ მოხდა ხომალდების შეპირაპირება და ხელახალი განპირაპირება.

20. VIII. და 9. IX.1975.
ამერ. საპლანეტათშორისო ხომალდები „ვიკინგ-1" და „ვიკინგ-2" დაეშვნენ მარსზე შესაბამისად 1976 წ. 20 ივლ. და 3 სექტ. და 1976-1979 გამოიკვლიეს მარსის გრუნტი სიცოცხლის მარტივ ფორმათა ძებნის მიზნით. შედეგები უარყოფითია (აშშ).

22. VI. 1976.
ორბიტული სამეცნ. სადგური „სალუტ-5", 1976 წ. 7 ივლ-იდან 24 აგვ-მდე მასზე მუშაობდნენ ბ. ვოლინოვი და ვ. ჟოლობოვი (გაფრინდნენ „სოიუზ-21-ით" 6. VII. 1976). 1977 წ. 9-25 თებ. კი— ვ. გორბატკო და ი. გლაზკოვი (სოიუზ-24", 7. II. 1977) (სსრკ).

9. VIII. 1976.
ავტომ. სადგურმა „ლუნა-24" დედამიწაზე მოიტანა მთვარის გრუნტი (სსრკ).

29. IX. 1977.
სამეცნ. სადგურ. „სალუტ-6". 1977 წ. 11 დეკ-იდან 1978 წ. 16 მარტამდე მასზე მუშაობდნენ კოსმონავტები ი. რომანენკო და გ. გრეჩკო (გაფრინდნენ „სოიუზ-26-ით" 1977 წ. 10 დეკ.), 1978 წ. 11—16 იანვ. მათთან ერთად იყვნენ ვ. ჯანიბეკოვი და ო. მაკაროვი („სოიუზ-27"; 10. I. 1978), 3—10 მარტს—ა. გუბარევი და ჩეხი კოსმონავტი ვ. რემეკი („სოიუზ-28"; 2. III. 78). სადგურზე მუშაობდა სხვა ექსპედიციებიც (სსრკ).

12. VIII. 1977.
ამერ. ასტრონ. ობიექტების (პულსარები, კვაზარები, შავი ორმოები, რადიო გალაქტიკები და სხვ.) საკვლევი დხთ HEAO-1 (აშშ).

20. VIII. და 5 IX. 1977.
იუპიტერის, სატურნისა და მათი თანამგზავრების კვლევისათვის ამერ. ხომალდების „ვოიაჯერ-1" და „ვოიაჯერ-2" გაშვება. 10. დეკ. შეეიდნენ ასტეროიდების ზოლში. 1978—1980 გამოიკვლიეს იუპიტერისა და სატურნის სისტემები. (აშშ).

15. VI. 1978.
ვ. კოვალიონოკისა და ა. ივანჩენკოვის 140-დღეღამიანი ფრენა „სალიუტ-29-ით", მუშაობა სადგურ „სალუტ-6-ზე" 28 ივნ.—5 ივლ. მათთან ერთან იყვნენ პ. კლიმუკი და პოლონელი მკვლევარი გ. გერმაშევსკი (გაფრინდნენ „სოიუზ-30-ით" 27. VI. 1978). 27 აგვ.—3. სექტ. კი ვ. ბიკოვსკი და გდრ-ის მკვლევარი ზ. იენი (გაფრინდნენ „სოიუზ-31-ით"; 26. VIII. 1978) (სსრკ).

9 და 14 IX. 1978.
„ვენერა-11" და „ვენერა-12" აპარატების გაშვება, რ-ებიც შესაბამისად 1978 წ. 25 დეკ. და 21 დეკ. რბილად დაეშვნენ ვენერას ზედაპირზე 800 კმ დაშორებით ერთმანეთისგან (სსრკ).

და სხვ. ბურჟ. პ-ის მიხედვით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრები და სუვერენიტეტი ხელს უშლის ტექ., მეცნ. და ეკონ. შემდგომ სწრაფ განვითარებას. ამიტომ იგი ხელის ალებას მოითხოვს ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე, მოუველებულად მიიჩნევს ეროვნ. პატრიოტიზმს.

პ. მსხვილი იმპერიალ. მონოპოლიების თეორ. იარაღია. იგი მიზნად ისახავს სხვა ქვეყნების ხალხთა ეკონ. და პოლიტ. დამონებას და მუშების კლასობრივი და რევ. შეგნების მოსპობას.

ბურჟუაზიული პ. უპირისპირდება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს (იხ. *ინტერნაციონალიზმი*).

ლიტ.: მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; მათივე, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის" I თავი), რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. 1, თბ., 1975; ლენინი ვ. ი., ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თხზ., გამოც. მე-4, ტ. 20; მისივე, მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის" შესახებ, იქვე, ტ. 23; Кузьмин Э. Л., Мировое государство: иллюзии или реальность?, М., 1969; Социологические проблемы международных отношений, М., 1970.

ა. გონაშვილი.

კოსმოსი (ბერძნ. kósmos — წესრიგი, მსოფლიო, სამყარო), სამყარო, როგორც ერთიანი, ორგანიზებული სისტემა. ტერმ. „კ". ძვ. ბერძნულიდან მოდის, ამჟამად იგი იხმარება როგორც *სამყაროს* სინონიმი და გულისხმობს *მეტაგალაქტიკის* მთელ სივრცეს მასში მოქცეული სხეულებითურთ. ზოგჯერ ამ ცნების შინაარსში არ გულისხმობენ დედამიწას და მის ატმოსფეროს (ანალოგიური აზრით იხმარება ტერმ. „კოსმოსური სივრცე"). კოსმ. ტექ. განვი-

თარების შედეგად შეიქმნა „ახლო კოსმოსის“ ცნებაც, რ-იც არსებითად მხოლოდ დედამიწისა და მზის მახლობელ სივრცეს გულისხმობს და ძლიერ ზღუდავს ცნება კ-ის თავდაპირველ მნიშვნელობას.

„კოსმოსი“, სახელწოდება *დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების* (დხთ) სერიისა, რ-ებსაც რეგულარულად უშვებენ 1962 წ. 16 მარტიდან სსრკ რამდენიმე კოსმოდრომიდან სხვადასხვა 2—4 საფეხურიანი მატარებელი რაკეტებით კოსმ. სივრცისა და დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების გამოკვლევის მიზნით.

1980 წ. 10 დეკ-თვის გაშვებულია ამ სერიის 1226 თანამგზავრი. სამეცნ. პროგრამა გულისხმობს ატმოსფეროს ღრუბელთა სისტემების, რადიოტალღათა გავრცელების, დედამიწის რადიაციული სარტყლების, მზის გამოსხივების და სხვათა შესწავლას. ამას გარდა კ-ის სერიის დხთ ხელს უწყობს კოსმ. ფრენებთან დაკავშირებულ ტექ. საკითხების დამუშავებას (ორბიტაზე შეპირაპირების, ორიენტაციის, გამოსხივებისაგან დაცვის, კოსმ. აპარატის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში შესვლისა და სხვა საკითხები). „კ-ის“ სერიის დხთ-ების ორბიტები მოიცავს 145 *კმ*-იდან 61 ათ. *კმ* სიმაღლემდე სივრცეს; ზოგი მათგანი გაშვებულია ერთი მატარებელი რაკეტით (მაგ. „კ-336“—„კ-343“); ზოგს აქვს საბორტო აპარატურის ენერგიით კვების სისტემა (ენერგიას ღებულობენ მზის ბატარეებიდან ან დენის ქიმ. წყაროებით). სამეცნ. ცნობებისა დედამიწაზე გადმოცემის მრავალარხიანი ტელემეტრული სისტემები და სხვ. „კ“-ის“ სერიის ზოგ დხთ-ს აქვს დასაშვები აპარატები (მაგ., „კ-136“ და სხვ.). ზოგი დხთ ბიოლ. პრობლემებს იკვლევს (მაგ. „კ-110“), ზოგი — მეტეოროლ. პრობლემებს (მაგ. „კ-144“), ზოგიც — ატმოსფეროს ბუნებას (მაგ. „კ-261“). დხთ-ს, რ-ებსაც 1969-იდან უშვებენ სოციალ. ქვეყნების საერთაშ. პროგრამის ფარგლებში კოსმ. სივრცის შესწავლის მიზნით, უწოდებენ „ინტერკოსმოსს“. მონაცემები „კ“-ის სერიის დხთ-ების გაშვების შესახებ ქვეყნდება ქართულ „ასტრონომიულ კალენდარში“.

კოსმოსური ბიოლოგია, ბიოლოგიის სხვადასხვა დარგის ერთობლიობა, რ-იც შეისწავლის: 1. ორგანიზმთა ცხოველმოქმედების თავისებურებებს კოსმოსის პირობებში (*კოსმოსური ფიზიოლოგია*, ეკოფიზიოლოგია, ეკობიოლოგია), 2. კოსმ. ხომალდებისა და სადგურების ეკიპაჟის წევრთა ცხოველმოქმედებისათვის საჭირო ბიოლ. სისტემების აგებულების პრინციპებს და 3. სიცოცხლის არამიწიერ ფორმებს. კ. ბ. აერთიანებს ბიოლ. სხვადასხვა დარგის, საავიაციო მედ., ასტრონ., გეოფიზ., რადიოელექტრონიკისა და სხვა მეცნიერებათა მიღწევებს. ცდებისა და დაკვირვებებისათვის იყენებენ ვირუსებს, მიკრობებს, უმდაბლეს და უმაღლეს მცენარეებსა და ცხოველებს. სსრკ-ში საამისოდ გამოყენებულია უკვე 60-მდე, ხოლო აშშ-ში — 40-მდე ბიოლ. ობიექტი. პირველი გამოკვლევები, რისთვისაც იყენებდნენ საჰაერო ბურთებს, ჩატარდა სსრკ-სა და აშშ-ში XX ს. 30-იან წლებში. 1935 საბჭ. სტრატოსტატ „სსრკ-1-ბის“-ზე და ამერ. სტრატოსტატ „ექსპლორერ-2-ზე“ ჩატარდა დაკვირვებები, რ-იც ეხებოდა რადიაციის გავლენას *მუტაგენეზის* პროცესზე. ამჟამად უმთავრესი კოსმ. ბიოლ. გამოკვლევები ჩაატარეს საბჭ. და ამერ. მკვლევარებმა. გარკვეული შედეგები მიიღეს საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გფრ-ში.

კ. ბ-ის უპირველესი ამოცანაა ორგანიზმებზე კოსმოსში ფრენის ფაქტორების და კოსმ. სივრცის პირობების გავლენის შესწავლა. ასეთ გამოკვლევებს ატარებენ სპეც. ლაბორატორიებში, სადაც ხელოვნურად არის შექმნილი კოსმოსის მსგავსი პირობები. ძირითადი და არსებითი მნიშვნელობის მონაცემები მიიღეს კოსმოსში გაშვებულ ორგანიზმებზე დაკვირვებით, რ-ის დროსაც შესაძლებელია ორგანიზმისათვის უჩვეულო გარემოს ფაქტორთა მთელი კომპლექსის გავლენის შესწავლა.

დადგენილია, რომ სიმაღლესთან ერთად იცვლება სასუნთქი აირცვლის პირობები. მაგ., უკვე 15 *კმ* სიმაღლეზე (ბარომეტრული წნევა 87 *მმ ვწყ. სვ*) სუნთქვა შეუძლებელია სუფთა ჟანგბადის შესუნთქვისასაც კი. 19,2 *კმ* სიმაღლეზე თბილ-სისხლიანი ცხოველების სისხლი, ლიმფა და სხვა სითხეები „დუღს“, რადგან ორგანიზმის თხიერ არეებში ბარომეტრული წნევა 37°C-ზე წყლის ორთქლის წნევას უტოლდება. 36—40 *კმ* სიმაღლეზე ატმოსფეროს ზედა ფენებში დაუბრკოლებლივ გადის პირველადი კოსმ. სხივები და ულტრაიისფერ სხივებთან (უი) ერთად ძლიერ ბიოლ. დამაზიანებელ ეფექტს ამჟღავნებს. კოსმ. ხომალდის კაბინაში კი რადიაცია სუსტად ატანს, რის გამოც მასში მყოფი ორგანიზმები საკმაოდ კარგადაა დაცული რადიაციის დამაზიანებელი გავლენისაგან. 100—200 *კმ*-ზე ზევით ატმოსფერო პრაქტიკულად აღარ არის, რის გამოც ბგერითი ტალღები ვეღარ ვრცელდება, სინათლე არ იფანტება, სივრცე და სიღრმე ძნელად აღიქმება. დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე (დხთ) წარმოიქმნება დინამ. უწონადობის მდგომარეობა, რადგან დედამიწის მიზიდულობის ძალა მის ტოლ ცენტრიდანულ ძალას უწონასწორდება, რ-იც ორბიტაზე ფრენისას ვითარდება.

ორგანიზმზე კოსმოსის პირობების გავლენის შესასწავლად თავდაპირველად (XX ს. 40—50-იანი წწ). ცდები ტარდებოდა სხვადასხვა ცხოველზე — ძაღლებზე, მაიმუნებზე და სხვ., რ-თაც კოსმ. ფრენის მსგავს პირობებში აყენებდნენ — რაკეტებით აჰყავდათ 500 *კმ* სიმაღლეზე. შეისწავლიდნენ კოსმოსში ცხოველთა სიცოცხლისათვის საჭირო პირობების შექმნის შესაძლებლობას (ჰერმეტულ კაბინაში ან სპეც. სკაფანდრებში არაჰერმეტულ კაბინაში), ფრენის უსაფრთხოების, დიდ სიმაღლეზე კატაპულტირებისა და პარაშუტით დაშვების საშუალებებს და მეთოდებს, პირველადი კოსმ. გამოსხივების ბიოლ. მოქმედებას. დაადგინეს, რომ მაღალორგანიზებული ცხოველები რაკეტით გაფრენისას აჩქარებას და დინამ. უწონადობას დაახლოებით 20 *წთ*-მდე უძლებენ. საბჭ. მე-2 ხელოვნურ თანამგზავრზე (1957) მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებანი ჩატარდა ძაღლ „ლაიკაზე“, რითაც გამოვლინდა კოსმოსში ორგანიზმის ხანგრძლივი ყოფნის შედეგები. შემდგომში შეიქმნა ისეთი კოსმ. თანამგზავრი-ხომალდები, რ-თაც შეეძლოთ დედამიწაზე დაბრუნება. ხომალდებში ათავსებდნენ მრავალნაირ ცხოველსა და მცენარეს, ლოკოკინას კვერცხებს, ადამიანის ქსოვილთა კულტურას, ბაქტერიებს, ვირუსებს, ფაგებს, ზოგიერთ ფერმენტს და ა. შ. ხომალდის კაბინაში შექმნილი იყო ნორმალური ატმ. წნევა (760±10 *მმ ვწყ. სვ.*), ტემპ-რა (18±3°C), ჟანგბადის შემცველობა (20—24%), ტენიანობა (35—50%). ცხოველები იკვებებოდნენ ავტომ. საკვებურებიდან, ქსოვილთა კულტურები და სხვა ბიოლ. ობიექტები მოთავსებული იყო თერმოსტატებში, სადაც ავტომატურად იყო რეგულირებული ტემპ-რა. ძაღლებს მიერთებული ჰქონდათ სათანადო აპარატურა და მკვლევრები რადიოტელემეტრიულად აკვირდებოდნენ ორგანიზმის ფიზიოლ. მდგომარეობას. ანალოგიური დაკვირვებანი ტარდებოდა საკონტროლო ცხოველთა და მცენარეთა შესაფერის ჯგუფებზე, რ-ებიც, გარდა უწონადობისა, კოსმოსის მსგავს პირობებში იყვნენ.

ორბიტაზე გაყვანის დროს ყველა ძაღლს გაბშირებული ჰქონდა პულსი და სუნთქვა. რაც ხომალდის ორბიტულ ფრენაზე გადასვლის შემდეგ თანდათან უახლოვდებოდა ნორმას. აჩქარების ზემოქმედების ყველაზე უშუალო და მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო ფილტვების ვენტილაციის ცვლილებანი და სისხლძარღვთა სისტემაში სისხლის გადანაწილება, აგრეთვე სისხლის მიმოქცევის რეფლექსური რეგულაციის დარღვევა. უწონადობის პირობებში პულსის სიხშირე უფრო დაბალია და ცვალებადიც, ვიდრე მოდელურ ცდებში დედამიწაზე. ძაღლები საკმაოდ მალე ეგუებიან უწონადობის უჩვეულო პირობებს და კოორდინირებული მოძრაობაც აღუდგებათ. მსგავსი შედეგები მიიღეს მაიმუნებზე ცდებით. კოსმოსში ნამყოფი ძაღლების, ვირთაგვებისა და თაგვების სისხლსა და შარდში აღინიშნა ზოგიერთი გარდამავალი ცვლილება, აღმოჩნდა, რომ თაგვების ძვლის ტვინში ქრომოსომთა გადაჯგუფება გადიდებული იყო, სისხლის წარმოქმნა — ოდნავ დაქვეითებული. კოსმოსში ხანგრძლივად მყოფ ძაღლებსა და მაიმუნებს განუვითარდათ სისხლძარღვთა სისტემის დეტრენირება, დაერღვათ წყლისა და მარილების ცვლა, კერძოდ, ძვლებში შემცირდა კალციუმის რაოდენობა. ორბიტული ფრენისას კოსმოსში მყოფი ორგანიზმების გენეტ. შესწავლით დადგინდა, რომ ხახვისა და იონჯის თესლი კოსმოსში უფრო სწრაფად ღივდება; ბარდის, სიმინდისა და ხორბლის ღივებზე შეამჩნიეს უჯრედების გამრავლების აჩქარება. რადიაციისადმი გამძლე შტამის აქტინომიცეტებს 6-ჯერ მეტი გადარჩენილი სპორა და განვითარებული კოლონია აღმოაჩნდათ, ვიდრე საკონტროლოებს, მაშინ როდესაც რადიაციისადმი მგრძნობიარე შტამებში შესატყვისი მაჩვენებლები 12-ჯერ შემცირდა. კოსმოსში ნამყოფ დროზოფილებში იმატა სქესთან (x ქრომოსომასთან) დაკავშირებულმა რეცესიულმა ლეთალურმა მუტაციებმა. ფიქრობენ, რომ დადგენილი გენეტ. ცვლილებანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ რადიაციის, არამედ ფრენის ყველა ფაქტორის — აჩქარების, უწონადობის, ვიბრაციის—ერთობლივი შედეგი.

ტრასაზე დედამიწა-მთვარე-დედამიწა ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების შედეგად შეისწავლეს დედამიწის რადიაციული სარტყლების *მაიონიზებელი გამოსხივების ბიოლოგიური მოქმედება*, აგრეთვე, პირველადი კოსმ. გამოსხივებისა და მზეზე აფეთქებათა პროტონების მძიმე კომპონენტები. ზოგიერთი ფიზიოლ. მაჩვენებლის (ლეკოციტების, ერითროციტების, ჰემოგლობინის რაოდენობა) შედარებისას აღმოჩნდა, რომ კოსმოსში ნამყოფ ზოგიერთ მცენარეს ემჩნეოდა ზრდისა და განვითარების, ქრომოსომული დარღვევების მატება.

მაღლივ და ბალისტიკურ რაკეტებზე, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე, თანამგზავრ-ხომალდებზე და სხვა კოსმ. საფრენ მოწყობილობებზე ჩატარებული ბიოლ. ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს და საკმაოდ ხანგრძლივადაც იმუშაოს კოსმ. ფრენის პირობებში. უწონადობა ამცირებს ორგანიზმის ფიზ. ამტანობას და აძნელებს ნორმალური (დედამიწის) გრავიტაციის პირობებისადმი რეადაპტაციას; უწონადობა არ იწვევს *მუტაციებს*, ყოველ შემთხვევაში გენურს ან ქრომოსომულს. დღის წესრიგში დგას უწონადობის გავლენის შესწავლა უჯრედშიგა პროცესებზე, დიდმუტტაციანი მძიმე ნაწილების ბიოლ. ეფექტების, ფიზიოლ. და ბიოქიმ. პროცესების რიტმიკის თავისებურებათა გამოვლენა კოსმ. ფრენის ფაქტორების ზემოქმედების პირობებში. კ. ბ-ის (ასევე კოსმ. მედიცინის) უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, კოსმოსში ადამიანის ხანგრძლივად ყოფნის პირობებში ნორმალური ცხოველმოქმედების უზრუნველყოფის ბიოლ. საფუძვლებისა და პრინციპების დამუშავებაც. ამ მხრივ უკვე მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული. 1961 ჯერ სსრკ-ში, ხოლო შემდეგ აშშ-ში განხორციელდა ადამიანის გაფრე-

ნა კოსმოსში. მომდევნო წლებში კოსმოსში გაუშვეს მრავალი ხომალდი და საპლანეტთაშორისო სადგური, რ-ებშიც იყვნენ ადამიანები, ხშირად საკმაოდ ხანგრძლივად. 1975 საბჭ. კოსმ. ხომალდი „სოიუზი" და ამერ. „აპოლონი" შეპირაპირდნენ კოსმოსში, ამასთან მოხდა ეკიპაჟის წევრების გადასვლა-გადმოსვლა ერთი ხომალდიდან მეორეში. საამისო წინაპირობების მომზადებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კ. ბ-ის გამოკვლევებსაც. ასეთ გამოკვლევებს მნიშვნელობა ექნება შემდგომშიც ახ. კოსმ. ტრასების დაზვერვისათვის, რისთვისაც საჭირო იქნება ბიოტელემეტრიის ახ. მეთოდების შემუშავება, ისეთი ხელსაწყოების კონსტრუირება, რ-ებიც კოსმოსში ყოფნისას ორგანიზმში წარმოქმნილ სხვადასხვა სახის ენერგიას გარდაქმნიან ზოგიერთი ზუსტი ხელსაწყოსათვის საჭირო ელექტროენერგიად. ისეთი ბიოლ. კომპლექსების ან დახშული ეკოლ. სისტემების შექმნა, რ-ებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ხანგრძლივ ყოფნას კოსმოსში.

კოსმოსში ჩატარებული ექსპერიმენტებისა და დაკვირვებების შედეგები ქვეყნდება მრავალ სპეც. ჟურნალსა და კრებულში როგორც სსრკ-ში, ისე უცხოეთში.

ლიტ: Газенко О. Г., Космическая биология, წგნ.: Развитие биологии в СССР, М., 1967. *დ. ჯოხაძე.*

კოსმოსური გეოდეზია, კოსმოსის ეპოქაში ჩამოყალიბებული სამეცნიერო დარგი, რ-საც დასაბამი მიეცა სსრკ-ის მიერ მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვების დღიდან (1957 წ. 4 ოქტ.). კ. ზ. საკუთარი პროგრამის შესაბამისად დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა საშუალებით მოპოვებული მასალის გეოდ. თვალთახედვით დამუშავების საფუძველზე იკვლევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: დაკვირვების ადგილების *გეოცენტრული კოორდინატების* განსაზღვრის საფუძველზე დედამიწის ფორმისა და ზომის დადგენა; კონტინენტების გეოდ. ურთიერთდაკავშირება; მზის დაბნელებისა და მთვარის მიერ ვარსკვლავების დაფარვის მასალების გეოდ. თვალთახედვით დამუშავება და სხვ. *ნ. თევზაძე.*

კოსმოსური ზონდი, დედამიწისახლო კოსმოსური სივრცის, მზის სისტემის სხეულებისა და მათი მიდამოების კვლევისთვის გამიზნული *კოსმოსური საფრენი აპარატი*. მაღლივი ზონდებისაგან განსხვავებით კ. ზ-ებით კვლევა ხორციელდება დედამიწის ზედაპირიდან მის რადიუსზე უფრო მეტ მანძილებზე. შედარებით მცირე ექსცენტრისიტეტიან ორბიტაზე გაშვებულ თანამგზავრებს კ. ზ-ებს არ უწოდებენ. კ. ზ-ებს აკუთვნებენ მთვარისა და პლანეტებისაკენ გაშვებულ აპარატებს (პირველი კ. ზ. „ლუნა-1" 1959 წ. 2 იანვ. გაუშვეს საბჭ. კავშირში; მან 1959 წ. 4 იანვ. გაუარა მთვარეს და შემდეგ ხელოვნურ პლანეტად იქცა). კ. ზ-ებისათვის ხმარობენ სხვა სახელწოდებებსაც: „მთვარის სადგური", „ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური" და სხვ. (სსრკ-ში), აგრეთვე „მთვარის ზონდი", „მარსის ზონდი" და სხვ. (აშშ-ში), ზოგჯერ „კოსმოსურ სადგურებსაც". ტიპური კ. ზ-ებია „ზონდის" სერიის საბჭ. და „პიონერის" სერიის ამერ. კოსმ. აპარატები.

სამეცნ. კვლევა ზონდებზე ხორციელდება როგორც საბორტო აპარატურით, ისე ფოტოგრაფირებითა და დისტანციური გაზომვით. პლანეტათშორის ტრასებზე გაყვანა, აგრეთვე სხვა ციურ სხეულებზე დაშვება ხდება ხელოვნური თანამგზავრის შუალედური ორბიტებიდან.

კ. ზ-ების მეშვეობით აღმოჩენილია დედამიწის მაგნიტოსფერო, *მზისიერი ქარი* და სხვ. შესწავლილია დედამიწისახლო და პლანეტათშორისი მაგნ. ველები, აგრეთვე მთვარისა და პლანეტების მიდამოები.

კოსმოსური კავშირი, შორეული კავშირის ძირითადი სახე. კ. კ. მყარდება დედამიწისა და კოსმ. საფრენ აპარატებს (კსა) შორის, დედამიწის პუნქტებსა და აგრეთვე კსა-ებს შორის.

კავშირი დედამიწასა და კსა-ებს შორის მიზნად ისახავს ყველა სახის ინფორმაციის ორმხრივ გადაცემას. თუ რადიოკავშირი დამყარებულია შორეულ კსა-თან (პლანეტათშორისი ავტომ. სადგური — პას), მისაღები რადიოსიგნალები მეტად დაბალი დონისაა, ურთიერთხედვის დრო კი—ხანგრძლივი, როცა პირიქითაა, ე. ი. კსა (მაგ., კოსმ. ხომალდი—კხ, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი -დხთ) ახლოსაა, ეს სიგნალები საკმაოდ მაღალი დონისაა, ხოლო ურთიერთხედვის დრო — მცირე.

კავშირგაბმულობის ხაზებს — დედამიწა-ბორტი კსა-ისა (დ-ბ) და კსა-ის ბორტი-დედამიწა (ბ-დ) — ინფორმაციული დატვირთვა და ენერგეტ. პოტენციალი ერთმანეთისაგან განსხვავებული აქვთ. ხაზი დ-ბ უზრუნველყოფს კსა-ის მართვის ბრძანებათა სიგნალების გადაცემას, ტრაექტორიის გაზომვას და კოსმონავტებთან სატელეფონო, სატელეგრაფო და სატელევიზიო კავშირს. ხაზს ბ-დ შედარებით მცირე ენერგეტ. პოტენციალი აქვს, რადგან კსა-ის გადამცემები უფრო ნაკლები სიმძლავრისაა, ვიდრე დედამიწის სადგურისა. კსა-იდან ინფორმაციის მისაღებად დედამიწის პუნქტებში იყენებენ დიდი ეფექტური ფართობის (ათეული ∂^2) ანტენებს. პლანეტათშორისი კსა-იდან ინფორმაციის მისაღებად გამოყენებულ ანტენათა ეფექტური ფართობი კი ასეული და ათასეული ∂^2-ია.

კოსმ. კავშირი ადამიანთან მსოფლიოში პირველად 1961 წ. 12 აპრ. განხორციელდა, როცა კოსმონავტმა ი. გაგარინმა კხ „ვოსტოკით" დედამიწას შემოუარა და ფრენის დროს მდგრადი ორმხრივი სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი დაამყარა. შემდგომ „ვოსტოკისა" და „ვოსხოდის" ერთდროული ფრენის დროს რადიოკავშირი დამყარდა კხ-ებს შორისაც. 1961 აგვ. კი მსოფლიოში პირველად კოსმოსიდან გადმოიცა ადამიანის (კოსმონავტ გ. *ტიტოვის*) სატელევიზიო გამოსახულება.

ყველაზე შორეული ორმხრივი რადიოკავშირი პას-ების ფრენისას მყარდება. მაგ., მარსის მიმართულებით ფრენის დროს რადიოკავშირი პას-სა და დედამიწას შორის დამყარებული იყო 350 მლნ. *კმ* მანძილზე, იუპიტერისაკენ ფრენისას კი — 800—900 მლნ. *კმ*-ზე. ასეთი შორეული რადიოკავშირისათვის პას-ზე დგამენ დედამიწისაკენ მიმართულ ანტენას.

კავშირგაბმულობა დედამიწის ორ ან რამდენიმე პუნქტს შორის ხორციელდება კოსმოსში მდებარე დხთ-ის ან სხვა ხელოვნური საშუალებებით (მაგ. ნემსების სარტყელი, იონიზებული ნაწილაკების ღრუბელი და ა. შ.).

მაღალ ორბიტაზე მოძრავ დხთ-ზე დაყენებული ერთი შუალედი რეტრანსლატორის მეშვეობით რადიოკავშირი მყარდება ორ პუნქტს შორის, რ-თა შორის მანძილი რამდენიმე ათასი *კმ*-ია.

კავშირგაბმ. დხთ ემსახურება როგორც კავშირგაბმ. ცალკეულ ხაზებს ისე რადიორელეური ხაზების ქსელს, რ-თა მეშვეობით მიმდინარეობს სატელევიზიო პროგრამების გადაცემა, მრავალარხიანი ტელეგრაფირება და სხვ., ამ მიზნით 1967-იდან სსრკ-ში მოქმედებს კავშირგაბმ. სისტემა „ორბიტა", რ-იც ემსახურება უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და სხვა რ-ნებს.

დხთ-ის გარდა რეტრანსლატორად დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის (მთვარის) გამოყენებაც არის შესაძლებელი. მთვარე რომ აქტ. რეტრანსლატორად გამოვიყენოთ, საჭიროა მასზე დაიდგას რადიოსარეტრანსლაციო სადგური. ვინაიდან მთვარე დედამიწისაკენ ყოველთვის მხოლოდ ერთი გვერდით არის მოქცეული, ძნელი არ არის მასზე ანტენის დადგმა (ანტენის ორიენტირება დედამიწისაკენ საჭიროა ერთხელ, მუშაობის პროცესში მცირე კორექტირება სჭირდება).

კოსმ. სადგურების, მ. შ. მთვარის სადგურის, კვების წყაროდ თანამედროვე ეტაპზე მზის ბატარეებს მიიჩნევენ.

კავშირი კსა-ებს შორის საჭიროა ინფორმაციის გასაცვლელად კოსმოსში მყოფი ორი ან რამდენიმე კხ-ის ეკიპაჟებს, კხ-ის ეკიპაჟსა და ღია კოსმოსში მყოფ კოსმონავტებს შორის, აგრეთვე ორ ავტომ. კსა-ს შორის სიგნალების რეტრანსლაციისა და ნავიგაციისათვის, ფრენის მართვისა და აპარატების დაახლოებისათვის.

მომავალში სტაციონარულ დხთ-თა მეშვეობით ისეთი სისტემები შეიქმნება, რ-ებიც სატელევიზიო პროგრამებს უშუალოდ ტელევიზორს გადასცემენ.

პერსპექტიულია ოპტ. კავშირგაბმულობა ლაზერების გამოყენებით. ოპტ. ტალღებით ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია ზეშორეულ მანძილზე (ე. ი. ისეთ პლანეტებზე, რ-ებიც დედამიწისაგან დაშორებული არიან სინათლის ათეული წლით).

იმის გამო, რომ დედამიწის ატმოსფერო ძლიერ შთანთქავს და აბნევს ოპტ. ტალღების ენერგიას, მეტად ხელსაყრელია ოპტ. კავშირგაბმულობა კოსმოსის უჰაერო სივრცეში მფრინავ კსა-ებს შორის. იხ. აგრეთვე *დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი* და *კავშირგაბმულობის თანამგზავრი.*

ლიტ.: Куликов В. В., Современные системы беспроводной дальней связи, М., 1968; Петрович Н. Т., Камнев Е. Ф., Вопросы космической радиосвязи, М., 1965. *შ. ბებიაშვილი.*

კოსმოსური მედიცინა, მეცნიერების კომპლექსური დარგი, რ-იც სამედიცინო, ბიოლოგიური, საინჟინრო და სხვა დისციპლინების გამოყენებით შეისწავლის და სხვადასხვა ღონისძიებით უზრუნველყოფს ადამიანის კოსმოსური ფრენისა და კოსმოსურ სივრცეში გასვლის დროს მისი სიცოცხლისუნარიანობის ოპტიმალურ პირობებს და უსაფრთხოებას. კ. მ. იკვლევს კოსმ. ფრენის ფაქტორებისა და პირობების გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და შეიმუშავებს შესაბამის პროფილაქტ. ღონისძიებებს; ადგენს და ასაბუთებს ავარიული მდგომარეობის შექმნისას კოსმ. ხომალდის ეკიპაჟის გადასარჩენად საჭირო სამედ. ღონისძიებებს (ინდივიდ. დაცვის საშუალებანი და სხვ.); ადგენს ფრენისათვის კოსმონავტების სამედ. მომზადების სისტემის ეფექტურობის კრიტერიუმებს. ამჟამად კ. მ-ის მთავარ პრობლემებს განეკუთვნება ადამიანის ორგანიზმზე კოსმ. ხომალდში, თავისუფალ კოსმოსში, მთვარეზე ან სხვა პლანეტაზე განსხვავებული გარემოს პირდაპირი ფიზ. და ფსიქოგენური გავლენის, ორბიტაზე საფრენი აპარატის გაყვანის, საპლანეტათშორისო სივრცეში მოძრაობისა და დედამიწაზე დაბრუნების დროს მოქმედი ფაქტორების, აგრეთვე აჩქარების, ხმაურისა და ვიბრაციის გავლენის შესწავლა. გარდა ამისა, კ. მ. შეისწავლის უწონადობისა და მცირე ზომის ჰერმეტული კაბინის ხელოვნურ გარემოში ხანგრძლივი იზოლაციის პირობებში ყოფნასთან დაკავშირებულ „ჰიპოდინამიას" ემოციურ დაძაბულობას, დღე-ღამის რიტმის პერიოდიკის შეცვლის თავისებურებებს და სხვ. იკვლევს აჩქარებიდან უწონადობაში და უწონადობიდან აჩქარებასა და შემდეგ გრავიტაციაში გადასვლას; კოსმონავტის კოსმ. ხომალდში ფრენისას მისი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის საჭირო პირობებს (კაბინის ოპტიმალური მიკროკლიმატი—ჟანგბადის შემცველობა და ტემპ-რის რეჟიმი, სინოტივე, განათება, ვენტილაცია და სხვ.); კოსმო-

ნავტთა შრომისა და დასვენების რეჟიმს; მათ კვებას და წყლით მომარაგებას, ორგანიზმიდან გამოყოფილ ნივთიერებათა (CO_2, წყალი, ექსკრემენტები) შეგროვების, მოშორების ან გამოყენების საკითხებს და სხვ. პლანეტების შემდგომ ათვისებასთან დაკავშირებით ჰ. მ-ის წინაშე მრავალი ახ. პრობლემა დაისახება (ახ. დაავადებათა აღმოჩენა და მათი მკურნალობა, ახ. გარე სამყაროს თავისებურ ფაქტორთა გაკლენა ორგანიზმის ცხოველმყოფელობაზე და სხვ.), რაც უთუოდ ჰ. მ-ის ახ. დარგების გაჩენასა და განვითარებას განაპირობებს. სსრკ-ში ჰ. მ-ის დარგში კვლევის კოორდინაციას ხელმძღვანელობს სსრკ ჯანდაცვის სამინისტროსა და სსრკ მეცნ. აკადემიასთან არსებული *კოსმ. სივრცეების კვლევისა* და გამოყენების *კომისია*. ძირითადი საერთაშ. და ნაციონალური ორგანიზაციებია: საერთაშ. ასტრონავტიკული ფედერაციის ბიოასტრონავტიკის კომიტეტი, ამერ. საავიაციო და კოსმ. სამედ. აკად. აერონავტიკისა და კოსმ. სივრცის კვლევის ნაციონალური სამმართველო.

ლიტ.: Парин В. В., Смирнов К. В., Гуровский Н. Н., Советское здравоохранение и космическая медицина, წგნ.: Авиакосмическая медицина, сб. 2, М., 1968. *გ. ვასაძე.*

კოსმოსური მტვერი, მყარი ნივთიერების ნაწილაკები ვარსკვლავთშორის და პლანეტათშორის სივრცეში. ჰ. მ-ის გროვები სინათლეს შთანთქავს და *ირმის ნახტომის* ფოტოგრაფიებზე ბნელ ლაქებად მოჩანს. ჰ. მ-ით გამოწვეული სინათლის ვარსკვლავთშორისი შთანთქმის სიდიდე სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე სხვადასხვაა (ხილულ უბანში λ^{-1}-ის პროპორციულია), რაც ვარსკვლავთა გაწითლებას იწვევს. ჰ. მ-ის *ალბედო* დიდია, იგი განაბნევს გამოსხივებას, რასაც ადასტურებს ცხელ, B ტიპის ვარსკვლავთა ახლოს ამრეკლავი ნისლეულების (ვარსკვლავთა მიერ განათებული ჰ. მ-ის ღრუბლების) არსებობა. ჰ. მ. შეიცავს ~1 *მკმ* ზომის დიელექტრულ ნაწილაკებს, ლითონის მინარევებს და ნაწილობრივ გრაფიტს. მტვრის ნაწილაკთა ანიზოტროპიისა და სივრცეში ორიენტირებული წესრიგით განლაგების გამო ჰ. მ-ით შთანთქმა სინათლის პოლარიზაციას იწვევს.

ჰ. მ-ით გამოწვეული შთანთქმა გალაქტიკის სიბრტყეში 0,5-იდან რამდენიმე ვარსკვლავიერ სიდიდემდეა 1 *კპს*-ზე სპექტრის ვიზუალურ უბანში. ჰ. მ-ის მასა დაახლ. უდრის ვარსკვლავთშორისი ნივთიერების მასის 1%-ს. ჰ. მ. არათანაბრადაა განაწილებული და ქმნის გლობულებს. ვარსკვლავთა გამოსხივება ათბობს გლობულებს, რ-ებიც თვითონ ინფრაწითელ უბანში ასხივებენ. მტვრის ნაწილაკების ზედაპირზე (მტვერი კატალიზატორის როლს თამაშობს) ატომები მოლეკულებად ერთდება. ჰ. მ. უნდა წარმოიშობოდეს ვარსკვლავთშორის გარემოში აირის მოლეკულების კონდენსაციით გრაფიტისა და სხვ. ნაწილაკებზე, რ-თა წარმოქმნა თავის მხრივ მიმდინარეობს ცივი გიგანტი ვარსკვლავების ატმოსფეროში, *ზეახალი ვარსკვლავების* გაფართოებად გარსებში და სხვ.

ლიტ.: Бакулин П. И., Кононович Э. В., Мороз В. И., Курс общей астрономии, 4 изд., М., 1977; Харадзе Е. К., Каталог показателей цвета 14000 звезд и исследование поглощения света в галактике на основе цветовых избытков звезд, «აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიულეტენი», 1952, № 12.

კოსმოსური რადიოგამოსხივება, გალაქტიკური და მეტაგალაქტიკური ობიექტების, აგრეთვე მზის სისტემის სხეულების ელექტრომაგნიტური გამოსხივება ტალღის სიგრძეთა რადიოდიაპაზონში. ჰ. რ. აღმოაჩინა ამერიკელმა რადიოფიზიკოსმა კ. იანსკიმ (1931). ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა *რადიოასტრონომიას*. ჰ. რ-ის წყაროებია: *კვაზარები, გალაქტიკები*, ვარსკვლავთშორისი და გალაქტიკათშორისი გარემო და სხვა. ჩვენი გალაქტიკის ობიექტები — *პულსარები, ზეახალ ვარსკვლავთა* ანთების ნაშთები, მაგ., *კიბორჩხალასების ნისლეული* და სხვ. ზოგი გალაქტიკის (იხ. *რადიოგალაქტიკები*) საერთო ჰ. რ-ის სიმძლავრე მისსავე ოპტ. გამოსხივების სიმძლავრეს უახლოვდება. ჰ. რ-ის ნიმუშია აგრეთვე *რელიქტური გამოსხივება*.

ჰ. რ-ის თეორია დაამუშავეს შვედმა მეცნიერებმა ჰ. ალფვენმა და ნ. გერლოფსონმა. შემდეგ კი დაწვრილებით — *ი. შკლოვსკიმ* და *ვ. გინზბურგმა*. ამ თეორიის თანახმად, რადიოგამოსხივება წარმოიშობა მაგნ. ველში ე. წ. რელატივისტური ელექტრონების მოძრაობისას (იხ. *სინქროტრონული გამოსხივება*). ზოგ შემთხვევაში რადიოსპექტრი მხოლოდ ხაზოვანია, ამის მაგალითია ვარსკვლავთშორისი წყალბადის გამოსხივება 21 *სმ* სიგრძის ტალღაში, ჰიდროქსილისა (OH) 18 *სმ*-ზე. ეს უკანასკნელი იწინასწარმეტყველა 1949 ი. შკლოვსკიმ, აღმოაჩინეს 14 წლით გვიან. ბოლო დროს ვარსკვლავთშორისეთში და გალაქტიკებში აღმოაჩინეს ამიაკის, სპირტისა და სამ ათეულამდე სხვა ნივთიერებათა მრავალატომიანი მოლეკულები, რ-ებიც რადიოდიაპაზონში ასხივებენ.

კოსმოსური რაკეტა, *რაკეტა*, რ-ის დანიშნულებაა ავტომატური ან პილოტირებული აპარატების გაშვება კოსმ. სივრცეში, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის (დხთ) ორბიტაზე ან სხვა ციური სხეულებისაკენ. წარმოადგენს მრავალსაფეხურიან ბალისტიკურ რაკეტას, რ-ის საარგებლო ტვირთი ხელოვნური კოსმ. ობიექტია. შორეული ფრენის დროს ჰ. რ. გაჰყავთ დხთ-ის ორბიტაზე, საიდანაც იგი შემდეგ სტარტს იღებს ახ. ორბიტისაკენ. იხ. სტ. *კოსმოსური საფრენი აპარატი*.

კოსმოსური სამართალი, ერთობლიობა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებისა, რ-ებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების კვლევა-გამოყენებასთან დაკავშირებით. ჰ. ს-ის აღსანიშნავად ინგლისურად იხმარება „Law of Outer Space" (გარე სივრცის სამართალი), გერმანულად — „Weltraumrecht" (მსოფლიო სივრცის სამართალი) და სხვ. სსრკ-ის მიერ 1957 დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ დასაბამი მისცა სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსის კვლევა-გამოყენების მიმართულებით, ამასთან აუცილებელი გახდა ასეთი საქმიანობის სამართ. მოწესრიგება. ამ დროიდან ისახება და ვითარდება ჰ. ს. როგორც თანამედროვე საერთაშ. სამართ. დარგი. ჰ. ს-ის პრინციპების ჩამოყალიბება დაიწყო მოსკ. ხელშეკრულებით ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, წყალქვეშ და კოსმოსში (5. VIII. 1963); ამას მოჰყვა *გაეროს* გენ. ასამბლეის რეზოლუცია (17. X. 1963), რ-მაც დაადასტურა სსრკ-აშშ-ის შეთანხმება იმის შესახებ, რომ ორბიტაზე არ გაიყვანონ ბირთვული იარაღით ან მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღით აღჭურვილი ობიექტები, და მერე — გაეროს „დეკლარაცია სამართლის პრინციპებისა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთა საქმიანობას კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენებისათვის" (13. XII. 1963). ამ პრინციპების დეტალიზაციით 1967 მიიღეს „ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის — მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით — კვლევისა და გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ", 1968 — „შეთანხმება კოსმონავტების შველასა და კოსმონავტთა და კოსმ. სივრცეში გაშვებულ ობიექტთა დაბრუნებაზე, 1972 — კონვენცია კოსმოსური ობიექტებით მიყენებული ზიანისთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ", 1975 — „კონვენცია კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტების რეგისტრაციის შესახებ".

მითითებულ წყაროებში დაცულია ჰ. ს-ის შემდეგი პრინციპები და ძირითადი ნორმები: კოსმოსის კვლევა-გამოყენების მიზანია კაცობრიობის კეთილდღეობა; კოსმოსი და ციური სხეულები ღიაა საკვლევად და გამოსაყენებლად ყველა სახელმწიფოსათვის თანასწორობის საფუძველზე; ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიისაკუთრებს მათ ოკუპაციით თუ სხვა რაიმე გზით; ყველა კოსმონავტს შეუძლია დაეშვას მთვარესა და სხვა ციურ სხეულებზე მოწყობილ სადგურებში, კოსმოსის კვლევა-გამოყენება უნდა ხდებოდეს საერთაშ. სამართ., კერძოდ გაეროს წესდების შესაბამისად, მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით და საერთაშ. თანამშრომლობის პირობებში; საქმიანობა კოსმოსში ხორციელდება სახელმწიფოების ან საერთაშ. ორგანიზაციების სახელით და პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებათ, კერძოდ ასეთი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის; კოსმოსში გაშვებულ თუ ციურ სხეულზე აგებულ ობიექტზე საკუთრების უფლებას ყოველთვის ინარჩუნებს ობიექტის დამარეგისტრირებელი სახელმწიფო და ასეთი ობიექტი, თუ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა მას უნდა დაუბრუნდეს; სახელმწიფოები ყოველნაირად უნდა დაეხმარონ კოსმონავტებს ავარიის თუ იძულებითი დაშვების შემთხვევაში და დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნონ ისინი კოსმ. ხომალდის დამარეგისტრირებელ სახელმწიფოში; კოსმონავტებმა სიფრთხილის ზომები უნდა მიიღონ ერთმანეთის უშიშროებისათვის; კოსმ. საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საჯაროდ და ინფორმაციის მიწოდებით გაეროსათვის; კოსმოსი დაცულ უნდა იქნეს ყოველგვარი დასენიანებისაგან, ხოლო დედამიწის გარემო — არასასურველი ცვლილებებისაგან კოსმ. საქმიანობის შედეგად.

ჰ. ს. მოიცავს აგრეთვე ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშ. შეთანხმებებს სახელმწიფოთა მეცნ.-ტექ. თანამშრომლობაზე კოსმოსის ასათვისებლად, კერძოდ, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და ორბიტული სადგურების გამოყენებაზე კავშირგაბმ., ტელევიზიის, მეტეოროლ., ნავიგაციის, დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლის და სხვ. დარგებში. ასეთი თანამშრომლობისათვის შექმნილია სპეც. საერთაშ. ორგანიზაციებიც („ინტერსპუტნიკი", „ინტელსატი", ევროპის კოსმოსური სააგენტო და სხვ.), ხორციელდება 9 სოციალ. სახელმწიფოს (მ. შ. სსრკ) კოსმ. თანამშრომლობის პროგრამა — „ინტერკოსმოსი". ჰ. ს-ის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სსრკ-ის ინიციატივით გაერში 1959 შექმნილი კოსმ. სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტი, რ-ის იურიდ. ქვეკომიტეტში მომზადდა ძირითადი საერთაშ.-სამართ. აქტები კოსმოსის შესახებ.

ლიტ.: ჟვანია გ., კოსმოსური სივრცის კვლევა-გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები, «საბჭოთა სამართალი», 1964, № 3; Международное космическое право, М., 1974. *რ. დეკანოზოვი.*

კოსმოსური საფრენი აპარატი (ᲙᲡᲐ), კოსმოსში გასაფრენი ან კოსმოსში საფრენი აპარატების ზოგადი სახელწოდება (მაგ. რაკეტამატარებელი, კოსმოსური ხომალდი, ორბიტური და პლანეტათშორისი ავტომ. და ეკიპაჟიანი სადგურები, დედამიწისა და სხვა ციური სხეულების ხელოვნური თანამგზავრები).

კსა-ები ორი ძირითადი ჯგუფისაა: 1. დედამიწის ახლოს გეოცენტრულ ორბიტაზე მოძრავი ორბიტური აპარატები, რ-ებიც არ გადიან დედამიწის მიზიდულობის სფეროს გარეთ. მაგ., დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი. 2. პლანეტათშორისი აპარატები, რ-ებიც ფრენის დროს სცილ-

დებიან დედამიწის მიზიდულობის სფეროს და შედიან მზის, პლანეტებისა და მათი ბუნებრივი თანამგზავრების გავლენის სფეროში. კსა არის ავტომ. (მაგ. ავტომ. პლანეტათშორისი სადგური) და ეკიპაჟის მიერ პილოტირებული (კოსმ. ხომალდ-თანამგზავრები, ორბიტური სადგურები, პლანეტათშორისი კოსმ. ხომალდები). უკვე შექმნილია აღნიშნული კსა-ების უმეტესი სახეობა; ძიმდინარეობს მუშაობა პლანეტათშორისი ხომალდების შესაქმნელად ადამიანის სხვა პლანეტებზე გასაფრენად, მრავალგზისი გამოყენების სატრანსპ. კოსმ. ხომალდების დასაპროექტებლად და სხვ.

განასხვავებენ კსა-ის ფრენის სამ უბანს: აპარატის ორბიტაზე გაყვანას, რისთვისაც მას ანიჭებენ მოცემული მიმართულებით საჭირო *კოსმოსურ სიჩქარეს*; ორბიტურ ფრენას, როდესაც აპარატი მოძრაობს ძირითადად ინერციით ცაური მექანიკის კანონების შესაბამისად, და დაჯდომის უბანს.

ზოგჯერ კსა-ს აქვს საბორტო რაკეტული ძრავები, რ-ებიც ფრენის ორბიტურ უბანზე მოძრაობის ტრაექტორიის შეცვლის ან დაჯდომის წინ აპარატის დამუხრუჭების საშუალებას იძლევიან.

რაკეტა-მატარებელი (კოსმ. რაკეტა) ერთადერთი საშუალებაა კსა-ის კოსმ. სივრცეში გასაყვანად. რაკეტის მაქს. სიჩქარე დამოკიდებულია რეაქტიული ჭავლის გამოდინების სიჩქარეზე, რაც თანამედროვე ქიმ. სათბობის გამოყენებისას შეადგენს 3000—4500 *მ/წმ*-ს. მიუხედავად ასეთი სიჩქარისა, ერთსაფეხურიან რაკეტას არ შეუძლია განავითაროს კოსმოსში ფრენისათვის საჭირო სიჩქარე (დაახლ. 8 *კმ/წმ*). ამიტომ იყენებენ შედგენილ რაკეტას, რ-საც ფრენის დროს სცილდება კონსტრუქციის ნაწილები (დახარჯული სათბობის ავზები, ძრავები). კოსმონავტიკაში გამოყენებულ ძირითად რაკეტებს (რაკეტა-მატარებლებს) 2—4 საფეხური აქვს. რაკეტის მოწყობილობა შედგება მართვის სისტემებისა და აგრეგატებისაგან, რ-ებიც საჭიროა ფრენის დროს სამართავად, ნამუშევარი საფეხურების მოსაცილებლად, სათბობის ავზების ჩასაბერად, ძრავებში სათბობის მიწოდების სარეგულირებლად და სხვ. კოსმოსური რაკეტის ძალური დანადგარი ჩვეულებრივ შედგება რამდენიმე ძრავასაგან, რ-თა მუშაობა სინქრონიზებულია. რაკეტა-მატარებლით კოსმოსში გაყვანილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობის სიჩქარე I კოსმ. სიჩქარის (დაახლ. 7,91 *კმ/წმ*) ტოლი ან მასზე ცოტა მეტია, პლანეტათშორისი კსა-ის სიჩქარე აღწევს II კოსმოსურ სიჩქარეს (11,19 *კმ/წმ*), ხოლო III კოსმ. სიჩქარისას (დაახლ. 16,67 *კმ/წმ*) საფრენ აპარატს შეუძლია გასცილდეს მზის სისტემას.

უმეტესი კსა-ის თავისებურებაა კოსმ. სივრცეში ხანგრძლივი დამოუკიდებელი უუნქციონირების უნარი. კსა-ში შექმნილია ადამიანის არსებობის და მუშაობის სათანადო პირობები. ასეთ აპარატში საჭიროა გარკვეული თბური რეჟიმის შენარჩუნება, საბორტო აპარატურის ენერგომომარაგების უწრუნველყოფა, დედამიწასთან რადიოკავშირის დამყარება და ა. შ.; ეკიპაჟიან კსა-ში აუცილებელია ჰერმეტულ კაბინაში სუნთქვისათვის გამოსაყენები ატმოსფეროს შენარჩუნება, მისი რეგენერაცია, ჰაერის ტემპ-რისა და ტენიანობის რეგულაცია, კოსმონავტების საკვებითა და წყლით მომარაგება და სხვ.

კოსმ. ფრენის ერთ-ერთი მეტად რთული პრობლემაა კსა-ის დედამიწაზე ან სხვა ცაური სხეულების ზედაპირზე დაშვება. დაჯდომის მომენტში საჭიროა კსა-ის სიჩქარის ნულამდე შემცირება. კსა-ის დამუხრუჭება შესაძლებელია ორი ხერხით: დამამუხრუჭებელი რეაქტიული ძალისა და ატმოსფეროში აპარატის მოძრაობის დროს წარმოქმნილი აეროდინ. ძალის გამოყენებით. პირველ შემთხვევაში ჩამოსაშვები აპარატი მომარაგებული უნდა იყოს დამამუხრუჭებელი სარაკეტო ძრავიანი დანადგარითა და სათბობის დიდი მარაგით. ასეთ დამუხრუჭებას მიმართავენ მხოლოდ ისეთ ცაურ სხეულებზე დაჯდომის დროს, სადაც ატმოსფერო არ არის (მაგ. მთვარეზე). საფრენი აპარატის დაჯდომისათვის აეროდინ. დამუხრუჭების გამოყენება უფრო ხელსაყრელია კსა-ის დედამიწაზე დასაჯდომად. დამუხრუჭებას იწყებენ ბალისტიკურ ტრაექტორიაზე მოძრაობის დროს, ხოლო დედამიწის ზედაპირთან მიახლოების მომენტში იყენებენ პარაშუტებს.

კოსმოსური სიჩქარე პირველი, მეორე, მესამე, უმცირესი სიჩქარეები, რ-ებიც უნდა მიენიჭოს დედამიწიდან გაშვებულ კოსმ. აპარატს, მატარებელი რაკეტის მუშაობის შეწყვეტის მომენტში, რომ ის გახდეს *დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი* (პირველი ჯ. ს.), ან გავიდეს დედამიწის მიზიდულობის მოქმედების სფეროდან (მეორე ჯ. ს.), ან დაძლიოს მზის მიზიდულობა და გავიდეს მზის სისტემიდან (მესამე ჯ. ს.).

ცის მექანიკიდან ცნობილია: თუ რომელიმე m მასის მქონე სხეული მოძრაობს გაცილებით დიდმასიანი ($M \gg m$) სხეულის ირგვლივ r რადიუსიან წრეწირზე, მაშინ მისი სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით $v_{\text{წრ}} = \sqrt{\frac{GM}{r}}$ (1), სადაც G *გრავიტაციული მუდმივაა*. ამ სიჩქარეს წრიული სიჩქარე ეწოდება; თუ მოძრაობა პარაბოლურ ორბიტაზე ხდება, მაშინ სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით

$$v_{\text{პარ}} = \sqrt{\frac{2GM}{r}} \qquad (2)$$

და მას პარაბოლური სიჩქარე ეწოდება.

პირველი ჯ. ს. v_I დედამიწის ზედაპირიდან გაშვებული კოსმ. აპარატისათვის (თუ დედამიწას სიმკვრივის სფერული განაწილების მქონე სფეროდ ჩავთვლით და ატმოსფეროს უგულებელვყოფთ) გამოითვლება (1) ფორმულით; თუ ამ ფორმულაში G გრავიტაციული მუდმივას, დედამიწის M მასისა და r რადიუსის სათანადო მნიშვნელობებს ჩავსვამთ, მივიღებთ, რომ $v_I = 7{,}91$ *კმ/წმ*; თუ ეს სიჩქარე დედამიწის ცენტრისაკენ მიმართულების პერპენდიკულარულია, მაშინ ხელოვნური თანამგზავრი დედამიწის ზედაპირთან წრეწირზე იმოძრავებს. რადგანაც დედამიწას ატმოსფერო აკრავს, დედამიწის ზედაპირის მახლობლად ასეთი ორბიტის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის გამო ხელოვნურ თანამგზავრს უშვებენ დედამიწიდან 160 *კმ*-ზე მეტი სიმაღლიდან.

მეორე ჯ. ს. v_{II} დედამიწის მახლობლად გამოითვლება (2) ფორმულით. დაშვებები იგივეა, რაც (1) ფორმულის შემთხვევაში. თუ ჩავსვამთ სათანადო მონაცემებს, მივიღებთ: $v_{II} = 11{,}19$ *კმ/წმ*. ამ სიჩქარეს განთავისუფლების (გაქცევის, გასხლტომის) სიჩქარესაც უწოდებენ. ასეთი საწყისი სიჩქარით გაშვებული სხეული დედამიწის მიმართ იმოძრავებს პარაბოლურ ორბიტაზე, დედამიწიდან წავა რაგინდ შორს.

თუ ორბიტაზე თანამგზავრის გასვლის სიჩქარე v_0 აკმაყოფილებს პირობას $v_{II} > v_0 > v_I$, მაშინ იგი დედამიწის გარშემო ელიფსურ ორბიტაზე მოძრაობს, ხოლო თუ $v_0 > v_{II}$ პირობას, მაშინ თანამგზავრი დედამიწის მიმართ ჰიპერბოლურ ორბიტაზე იმოძრავებს. ორბიტაზე გასვლის v_0 სიჩქარეს პირველ შემთხვევაში ელიფსური სიჩქარე ეწოდება, მეორე შემთხვევაში კი ჰიპერბოლური სიჩქარე.

მესამე ჯ. ს. v_{III} განისაზღვრება შემდეგი პირობით: კოსმ. აპარატს დედამიწის გრავიტაციული მოქმედების სფეროდან გასვლის მომენტში (დედამიწიდან დაახლ. 930000 *კმ*-ზე) მზის მიმართ უნდა ჰქონდეს პარაბოლური სიჩქარე, რ-ის სიდიდე დედამიწის ორბიტის მახლობლად 42,10 *კმ/წმ*-ია. ამ მომენტში დედამიწის მიმართ კოსმ. აპარატის სიჩქარე არ შეიძლება 12,33 *კმ/წმ*-ზე ნაკლები იყოს (რადგანაც დედამიწის ორბიტული სიჩქარე საშუალოდ, 29,77 *კმ/წმ*-ია). ამიტომ დედამიწის ზედაპირის მახლობლად კოსმ. აპარატს, ცის მექანიკის ფორმულების თანახმად, უნდა მიენიჭოს სულ მცირე 16,67 *კმ/წმ* სიჩქარე. ეს არის მესამე ჯ. ს. ამის ანალოგიურად განისაზღვრება და გამოითვლება პირველი, მეორე და მესამე ჯ. ს-ები სხვა ცაური სხეულებისათვისაც. მაგ., მთვარისათვის პირველი ჯ. ს. 1,68 *კმ/წმ*-ია, მეორე ჯ. ს. კი — 2,38 *კმ/წმ* (პირველი და მეორე ჯ. ს-ის გამოსათვლელ (1) და (2) ფორმულებში შემავალი GM ნამრავლი მზის, მთვარისა და პლანეტებისათვის მოცემულია ცხრილში).

სამეცნ. ლიტერატურაში პირველი, მეორე და მესამე ჯ. ს. ასეთი გაგებითაც იხმარება: დედამიწის ზედაპირიდან ნებისმიერ h სიმაღლეზე წრიულ და პარაბოლურ სიჩქარეებს, რ-ებიც გამოთვლილია (1) და (2) ფორმულებით, სათანადოდ პირველ და მეორე ჯ. ს-ს უწოდებენ. მესამე ჯ. ს. განისაზღვრება ისე, როგორც დედამიწის ზედაპირისათვის (სიმაღლის გათვალისწინებით).

ლიტ.: ხარაძე ე., ასტრონომიის საფუძვლები, [ტ.] 1, თბ., 1971; Дубошин Г. Н., Небесная механика. Основные задачи и методы, М., 1963; Левантовский В. И., Механика космического полета в элементарном изложении, М., 1970.

კოსმოსური სხეულები, მაღალი ენერგიის ნაწილაკების (უმეტესად პროტონების) ნაკადი, რ-ებიც დედამიწის ატმოსფეროში კოსმოსიდან შემოიჭრებიან (პირველადი გამოსხივება), აგრეთვე დედამიწის ატმოსფეროში ატომთა ბირთვებთან მათი ურთიერთქმედებისას წარმოქმნილი მეორეული გამოსხივება, რ-იც ყველა ცნობილ ელემენტარულ ნაწილაკს შეიცავს. პირველადი კოსმ. გამოსხივების 92% პროტონებია, ≈ 7% — α-ნაწილაკები, ≈1% მოდის უფრო მძიმე ელემენტების ატომბირთვებზე, ვიდრე წყალბადი ან ჰელიუმია.

პირველადი ჯ. ს-ის ნაწილაკთა უმეტესობას აქვს 10^9 *ევ* (1 *გევ*) მეტი ენერგია, ხოლო ცალკეული ნაწილაკის ენერგია 10^{20}–10^{21} *ევ* აღწევს. მძლავრი ამჩქარებლების შექმნამდე ჯ. ს. მაღალი ენერგიის ნაწილაკების ერთადერთი წყარო იყო. ჯ. ს-ში პირველად აღმოაჩინეს მრავალი ელემენტარული ნაწილაკი და შეისწავლეს ბირთვებთან მათი ურთიერთქმედებისა და დაშლის პროცესები. თუმცა თანამედროვე ამჩქარებლები ნაწილაკებს $5 \cdot 10^{11}$ *ევ*-მდე ენერგიას ანიჭებს, მაგრამ ჯ. ს. ჯერ კიდევ რჩება ნივთიერებასთან უფრო მაღალი ენერგიის მქონე ნაწილაკთა ურთიერთქმედების შესწავლის ერთადერთ წყაროდ. პირველადი ჯ. ს-ის მცირე ნაწილი, რ-საც მცირე ენერგია აქვს (1 *გევ*), ამოიტყორცნება მზიდან; მისი ინტენსივობა დაკავშირებულია მზის აქტივობასთან. ამ ნაკადს მზის ჯ. ს-ს უწოდებენ. დიდი აქტივობის დროს პლანეტათშორის სივრცეში მზის ჯ. ს-ის ნაკადი შეიძლება ხანმოკლედ გაძლიერდეს.

ჯ. ს-ის ფიზიკაში მკვეთრად გამოირჩევა მეცნ. კვლევის ორი ძირითადი მიმართულება: 1. ბირთვულ-ფიზიკური (ჯ. ს-ის ურთიერთქმედება ნივთიერებასთან, ელემენტარულ ნაწილაკთა გენერაცია, მათი თვისებები და ურთიერთქმედება, დაშლა და სხვ.) და 2. კოსმოფიზიკური (პირველადი ჯ. ს-ის ენერგეტ. სპექტრი და შემადგენლობა, მზისა და გალაქტიკური ჯ. ს-ის გე-

კოსმოსური სიჩქარე

მასისა და გრავიტაციული მუდმივას ნამრავლი მზის, მთვარისა და პლანეტებისათვის

ცაური სხეული	GM, *კმ³/წმ²*
მთვარე	$4{,}903 \cdot 10^3$
მზე	$1{,}327 \cdot 10^{11}$
მერკური	$2{,}169 \cdot 10^4$
ვენერა	$3{,}249 \cdot 10^5$
დედამიწა	$3{,}986 \cdot 10^5$
მარსი	$4{,}298 \cdot 10^4$
იუპიტერი	$1{,}267 \cdot 10^8$
სატურნი	$3{,}792 \cdot 10^7$
ურანი	$5{,}803 \cdot 10^6$
ნეპტუნი	$7{,}026 \cdot 10^6$
პლუტონი	$9{,}478 \cdot 10^2$

კოსმოსური სიჩქარე

პირველი (v_I) და მეორე (v_{II}) კოსმოსური სიჩქარეები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლისათვის (h)

h (*კმ*)	v_I (*კმ/წმ*)	v_{II} (*კმ/წმ*)
0	7,91	11,19
100	7,84	11,09
200	7,78	11,01
300	7,73	10,93
500	7,62	10,77
1000	7,35	10,40
5000	5,92	8,37
10000	4,94	6,98



ნახ. 1.

კოსმოსური სხივები. ნაწილაკების მრავლობითი დაბადების ფოტოგრაფია პირველადი კოსმოსური გამოსხივების მძიმე ბირთვის ფოტოემულსიის ერთ - ერთ ბირთვთან ურთიერთქმედებისას. ნეიტრალურების გარდა წარმოქმნილია 300-ზე მეტი დამუხტული ნაწილაკი უმეტესად პიონები.



ნახ. 2.

კოსმოსური სხივები. ფოტოგრაფია, რომელიც გვიჩვენებს ვილსონის კამერაში ჩადგმულ თითბრის ფირფიტებში ელექტრონულ-ფოტონური ღვარის განვითარებას.

ნერაცია და გავრცელება, კ. ს-ის ინტენსივობის ცვლილება დროის განმავლობაში — ვ ა რ ი ა ც ი ე ბ ი, მათი ურთიერთქმედება დედამიწის მაგნიტოსფეროსთან, მზის ქართან და პლანეტათშორის სივრცეში არსებულ დარტყმითს ტალღებთან და სხვ.).

პირველადი გალაქტიკური კ. ს. გეომაგნიტური ეფექტები. პირველადი კ. ს-ის ნაკადი იზოტროპიულია, ე. ი. არ არის დამოკიდებული მიმართულებაზე. როდესაც კ. ს-ის დამუხტული ნაწილაკები დედამიწის მაგნ. ველში მოხვდებიან, ისინი გადაიხრებიან პირველადი მიმართულებიდან (რადგანაც მათზე მოქმედებს ლორენცის ძალა), ამიტომ კ. ს-ის ინტენსივობა და ენერგეტ. სპექტრი დედამიწასთან ახლომდებარე სივრცეში დამოკიდებულია დაკვირვების ადგილის გეომაგნ. კოორდინატებსა და მათი მოსვლის მიმართულებაზე. გეომაგნ. ველის გადამხრელი მოქმედება მით უფრო ძლიერად ვლინდება, რაც მეტია კუთხე ნაწილაკის მოძრაობის მიმართულებასა და მაგნ. ველის ძალწირს შორის, ე. ი. რაც უფრო მცირეა გეომაგნ. განედი; ამგვარად, ერთნაირი ენერგიის მქონე ნაწილაკების შემთხვევაში გადახრა უდიდესია ეკვატორის მიდამოებში და უმცირესია მაგნ. პოლუსებთან.

ენერგიის ზრდასთან ერთად კ. ს-ის ინტენსივობა ჯერ ნელა მცირდება, შემდეგ კი — მკვეთრად. პირველადი კ. ს-ის შემადგენლობაში აღმოჩენილია თითქმის ყველა ქიმ. ელემენტის ბირთვები. მათი ატომური მასის მიხედვით შემცირება კ. ს-ში უფრო ნელა ხდება, ვიდრე სამყაროს სხვა ციურ სხეულებში, მაგ., კ. ს-ში განსაკუთრებით დიდია მსუბუქი ელემენტების Li, Be, B ბირთვების რაოდენობა, შესაბამისი მძიმე ბირთვების ჭარბი რაოდენობა ($Z>6$), რაც იმას გვიჩვენებს, რომ კ. ს-ის წყაროში უპირატესად მძიმე ბირთვები აჩქარდება, მსუბუქი ბირთვები კი წარმოიშობა მძიმე ბირთვების გახლეჩის შედეგად (ფრაგმენტაცია) ვარსკვლავთშორის ნივთიერებასთან მათი ურთიერთქმედებისას.

მზის კ. ს. კ.ს-ის ინტენსივობის არარეგულარული ნახტომის სახით ზრდა დაკავშირებულია მზის ქრომოსფერულ აფეთქებასთან. ამ პროცესში მზის ლაქების საზღვარზე მისი პლაზმის დამუხტული ნაწილაკები აჩქარდება მზის ელექტრომაგნ. ველის გაელენით. მზის კ. ს-ის ნაკადების ინტენსივობა ქრომოსფეროს აალების ზოგიერთ პროცესში ასეულჯერ აღემატება გალაქტიკური კ. ს-ის ინტენსივობას. მაგ., 1956 წ. 23 თებ. 3 *გევ* ენერგიაზე მეტი ენერგიის მქონე კ. ს-ის ნაკადი 300-ჯერ გაიზარდა მზიდან ნაწილაკების ინტენს. ამოფრქვევის გამო. საშუალოდ კი მზის კ. ს-ის წვლილი კ. ს-ის საერთო ინტენსივობაში რამდენიმე პროცენტია. მზის კ. ს-ს გალაქტიკურ კ. ს-თან შედარებით უფრო მცირე ენერგია აქვს (მათი ენერგეტ. სპექტრი უფრო რბილია). მცირე ენერგიის მქონე მზის კ. ს. მაღალ განედებზე დედამიწის იონოსფეროს მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს, იწვევს მისი დაბალი ფენების დამატებით იონიზაციას, რაც ასუსტებს რადიოტალღებს, ზოგჯერ კი მოკლე რადიოტალღებით კავშირს მთლიანად წყვეტს. იგივე სხივები ჩრდილოეთის ნათებას იწვევს მაღალ განედებში.

გალაქტიკური კ. ს-ის წარმოშობა და მათი ასაკი. კ.ს-ის ძირითად წყაროდ თვლიან ზეახ. ვარსკვლავების აფეთქებას. ყოველი ასეთი აფეთქებისას ხდება ვარსკვლავის გარსის გაფართოება უდიდესი სიჩქარით, რ-ის დროსაც პლაზმაში წარმოიშობა დარტყმითი ტალღა და დამუხტული ნაწილაკები აჩქარდება (მათი ენერგია აღწევს 10^{15} *ევ* და უფრო მეტს). თუ მხედველობაში მივიღებთ ზეახ. ვარსკვლავების აფეთქების საშ. სიხშირეს (30—50 წელიწადში ერთხელ), თითოეული აფეთქების საშ. ენერგოგამოყოფას (10^{51}—10^{52} *ერგ*) და ჩავთვლით, რომ ამ ენერგიის $\approx 1\%$ იხარჯება დამუხტული ნაწილაკების აჩქარებაზე, მაშინ შეიძლება აიხსნას როგორც კ. ს-ის ენერგიის საშ. სიმკვრივე (≈ 1 *ევ/სმ*^{3}), ისე მათი ნაკადის შესამჩნევი ცვლილების არარსებობა. რადიოასტრონ. მეთოდებით შესაძლებელი გახდა კ. ს-ის უფრო მძლავრი წყაროების რეგისტრაცია. ასეთი წყაროებია მცირე ზომის კვაზივარსკვლავური ობიექტები—*კვაზარები*, ზოგიერთი გალაქტიკის ბირთვები, რ-ებიც აფეთქების ტიპის მკვეთრ გაფართოებას განიცდიან და *რადიოგალაქტიკები*, რ-ებისთვისაც დამახასიათებელია ნივთიერების მძლავრი გამოტყორცნა, რ-საც თან ახლავს რადიოგამოსხივება მთელი გალაქტიკის მასშტაბით.

კ. ს-ის წყაროების შესწავლის ახ. შესაძლებლობა სპექტრის ყველაზე ენერგეტ. ნაწილში (10^{20}—10^{21} *ევ*) აღმოჩენილ იქნა უნიკალური ასტროფიზ. ობიექტების—მცირე ზომის (დიამეტრი ~ 10 *კმ*) ნეიტრონული ვარსკვლავების (*პულსარების*) აღმოჩენის შემდეგ. პულსარები წარმოიშობა ვარსკვლავების სწრაფი გრავიტაციული შეკუმშვისას (იხ. *კოლაფსი გრავიტაციული*).

კ. ს-ის წყაროებსა და მათ ასაკზე მნიშვნელოვან დამატებითს ინფორმაციას გვაძლევს კ. ს-ის ბირთვული შედგენილობის გამოკვლევა. კ. ს-ში Be-ის ბირთვების მცირე ფარდობითი შემცველობიდან გამომდინარეობს, რომ ბერილიუმის რადიოაქტ. იზოტოპი ^{10}Be, რ-ის ნახევრად დაშლის პერიოდი 2 მლნ. *წ*, პრაქტიკულად მთლიან დაშლას ასწრებს. აქედან კ. ს-ის ასაკის ზედა ზღვარისათვის ვიღებთ 20—50 მლნ. *წ*. რამდენიმე *გევ*-ზე მეტი ენერგიის მქონე პირველადი კ. ს-ის პროტონების ან სხვა ბირთვების ურთიერთქმედების პროცესში დედამიწის ატმოსფეროს ატომბირთვებთან ხდება ამ ბირთვების გახლეჩა და რამდენიმე არამდგრადი ელემენტარული ნაწილაკის წარმოქმნა. ამ მოვლენას ნაწილაკების მრავლობითი გენერაციის პროცესი ეწოდება. ამ დროს ძირითადად იბადება დამუხტული და ნეიტრალური π-მეზონები (პიონები), სათანადოდ $2{,}5\cdot 10^{-8}$ და $0{,}8\cdot 10^{-16}$ *წმ* სიცოცხლის ხანგრძლივობით. გაცილებით ნაკლები ალბათობით (5—10-ჯერ) იბადება K-მეზონები (კაონები), უფრო იშვიათად — ჰიპერონები და პრაქტიკულად მეყსეულად დაშლადი რეზონანსები. 1-ლ ნახაზზე წარმოდგენილია ნაწილაკების მრავლობითი დაბადების სურათი, რ-იც რეგისტრირებულია ფოტოემულსიაში.

ელექტრონულ-ფოტონური ღვარები და მეორეული კ. ს-ის რბილი კომპონენტი. ბირთვული ურთიერთქმედების პროცესში დაბადებული ნეიტრალური პიონები პრაქტიკულად მეყსეულად (მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა $0{,}8\cdot 10^{-16}$ *წმ* ტოლია) იშლება ორ ფოტონად ($\pi^0\to 2\gamma$). ეს პროცესი დასაბამს აძლევს ელექტრონულ-ფოტონურ კომპონენტს (მას ეწოდება აგრეთვე რბილი, ე. ი. ადვილად შთანთქმადი კომპონენტი). ატომბირთვის ძლიერ ელექტრულ ველში ეს ფოტონები წარმოქმნის e^- e^+ ელექტრონ-პოზიტრონის წყვილებს ($\gamma\to e^+ + e^-$). ელექტრონები და პოზიტრონები დამუხრუჭებისას გამოასხივებენ ახ. ფოტონებს ($e^\pm\to e^\pm + \gamma$) და ა. შ. ასეთი პროცესები, რ-თაც კასკადური ხასიათი აქვთ, იწვევენ ელექტრონულ-ფოტონური ღვარების წარმოშობას. ღვარის განვითარება იწვევს π^0-მეზონის ენერგიის დანაწევრებასა და მის განაწილებას ღვარის სულ უფრო მეტ ნაწილაკთა შორის. მას შემდეგ, რაც რბილი კომპონენტი მაქსიმუმს მიაღწევს (ეს კი ზღვის დონიდან ≈ 15 *კმ* სიმაღლეზე ხდება), იგი თანდათანობით მიილევა. როდესაც თითოეული ნაწილაკის ენერგია კრიზისულ ენერგიაზე ნაკლები ხდება (ჰაერისათვის კრიზისული ენერგია ≈ 100 *მეგევ* შეადგენს), უპირატესობა ენიჭება ენერგიის დანაკარგს იონიზაციის პროცესში და კომპტონის გაბნევისას. ამ დროს ნაწილაკთა რიცხვის ზრდა ღვარში შეწყდება და ნაწილაკები შთაინთქმებიან ნივთიერებაში. ელექტრონულ-ფოტონური კომპონენტის მთლიანი შთანთქმა პრაქტიკულად მიმდინარეობს ნივთიერების შედარებით თხელ ფენაში, ამისათვის საკმარისია 10 — 20 *სმ* სისქის ტყვიის ეკრანი (ელექტრონულ-ფოტონური ღვარის სურათი, რ-იც გადაღებულია ვილსონის კამერის მეშვეობით, იხ. მე-2 ნახაზზე). დედამიწის ატმოსფერონში გასვლისას ძალიან მაღალი ენერგიის ($\geqslant 10^{14}$ *ევ*) ელექტრონულ-ფოტონური ღვარები გადაიქცევა ფართო ატმ. ღვარებად, რ-ებშიც ნაწილაკთა რიცხვი რამდენიმე მილიონსა და მილიარდს აღწევს. ნაწილაკები განაწილებულია დიდ ფართობზე ღვარის ღერძიდან ასეულ მეტრ მანძილზე. ღვარში ნაწილაკთა რიცხვის მიხედვით შეიძლება მისი წარმომქმნელი პირველადი ნაწილაკის ენერგიის შეფასება, რაც სხვა გზით შეუძლებელია, რადგანაც მათი უშუალო რეგისტრაციის ალბათობა მეტად მცირეა. ფართო ატმ. ღვარებში დამუხტულ ნაწილაკთა დიდი სიმკვრივის გამო, ხდება ელექტრომაგნ. გამოსხივება ოპტ. და რადიოდიაპაზონში.

კოსმოსური მიუონები და ნეიტრინო. დამუხტული პიონები მონაწილეობენ ბირთვული კასკადის განვითარებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც საკმარისად დიდი ენერგია აქვთ (მანამდე, ვიდრე დაიწყება მათი მოძრაობისას დაშლა). ატმოსფეროს მაღალ ფენებში (სადაც ჰაერის სიმკვრივე მცირეა) დაშლის პროცესებს მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა ენერგია 10^{12} *ევ*-ზე ნაკლებია. დამუხტული პიონი იშლება მიუონად (დამუხტულ არამდგრად ნაწილაკად, რ-ის უძრაობის მასა 207-ჯერ მეტია ელექტრონის მასაზე, სიცოცხლის საშ. ხანგრძლივობა კი $\approx 2\cdot 10^{-6}$ *წმ* ტოლია) და ნეიტრინოდ (ნეიტრალურ ნაწილაკად უძრაობის ნულოვანი მასით). თავის მხრივ მიუონიც იშლება პოზიტრონად (ან ელექტრონად), ნეიტრინოდ და ანტინეიტრინოდ. რადგანაც მიუონის სიჩქარე (ისევე როგორც სხვა კოსმ. ნაწილაკების სიჩქარე) თითქმის სინათლის სიჩქარის ტოლია, ფარდობითობის თეორიის თანახმად, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდია და პროპორციულია მათი სრული ენერგიისა. მიუონები ბირთვულად აქტ. ნაწილაკებს არ წარმოადგენს და ამიტომ სუსტია მათი ურთიერთქმედება ნივთიერებასთან, რის გამოც მიუონების ნაკადი კ. ს-ის ხისტი კომპონენტია. მათთვის დამახასიათებელია ნივთიერებაში შეღწევის დიდი უნარი.

კ. ს-ის კვლევა საქართველოში. კ. ს-ის კვლევას საქართველოში საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. იგი დაიწყო თბილ. სახელმწ. უნ-ტში (1935-იდან), ამჟამად კ. ს-ს იკვლევენ 3 სამეცნ. დაწესებულებაში: 1. თბილ. სახელმწ. უნ-ტის კ. ს-ის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში, სადაც შეისწავლიან კ. ს-ის ზემაღალი ენერგიის მიუონურ კომპონენტს და რადიონახშირბადის მეთოდის გამოყენებას კოსმოფიზ. საკითხების კვლევისათვის; 2. საქ. სსრ მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის კ. ს-ის განყ-ბაში, სადაც გ. ჩიქოვანის სახ. ცხრაწყაროს მაღალმთიან კ. ს-ის ლაბორატორიაში შეისწავლიან კ. ს-ის ბირთვულად აქტ. კომპონენტს, ხოლო ამავე ინ-ტის ლაბორატორიაში—მიუონურ კომპონენტს; 3. საქართვ. მეცნ. აკად. გეოფიზ. ინ-ტის კ. ს-ის განყ-ბაში, სადაც სწავლობენ კ. ს-ის ინტენსივობის ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია კოსმოსში მიმდინარე პროცესებსა და მზის აქტივობასთან.

ლიტ.: Гинзбург В. Л., Сыроватский С. И., Происхождение космических лучей, М., 1963; Мурзин В. С., Сарычева Л. И., Космические лучи и их взаимодействие, М., 1968; Ж а-

я к а в а С., Физика космических лучей, пер. с англ., ч. 1, М., 1973.

ი. საყვარელიძე.

კოსმოსური ტრიანგულაცია, მეთოდი, რ-ითაც ახორციელებენ გეოდეზიურ კავშირს დედამიწის ზედაპირის პუნქტებს შორის, ამ პუნქტებიდან მთვარის, სინათლის წყაროთი აღჭურვილი მაღლივი ბალონის ან დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის სინქრონული დაკვირვების საფუძველზე. კ. ტ-ის დანიშნულებაა განისაზღვროს დედამიწის ზედაპირზე შორი-შორ განლაგებულ წერტილთა ზუსტი მდებარეობანი, მ. შ. მანძილები და სხვ.

კ. ტ-ის გამოყენებამ დიდად გაზარდა კოორდინატების განსაზღვრის სიზუსტე კლასიკურ მიწისზედა გეოდ. განსაზღვრებთან შედარებით (ამჟამად განსაზღვრის ცდომილება მხოლოდ რამდენიმე მეტრის ფარგლებშია).

კოსმოსური ფიზიოლოგია, კოსმოსური ბიოლოგიისა და მედიცინის დარგი. შეისწავლის ორგანიზმის ფუნქციების რეგულაციისა და კომპენსაციის მექანიზმებს კოსმოსში ფრენის ყველა ფაქტორის ზემოქმედების პირობებში. ასეთი ფაქტორებია გადატვირთვა, ვიბრაცია, ხმაური, უწონადობის მდგომარეობა, კოსმოსური სხივების გავლენა, დედამიწაზე ჩვეული დღე-ღამური, სეზონური და სხვა ბიოლ. რითმების დარღვევა. კვლევის შედეგად დადგენილი კანონზომიერებანი საფუძვლად ედება ბიოლ. და სამედ. პროგნოზებს, მ. შ. კოსმონავტების შრომის, დასვენების, ძილის, კვებისა და საერთოდ ყოფის ოპტიმალური რეჟიმის შემუშავებას.

კოსმ. ფრენის პირობებში ორგანიზმის გამძლეობის შენარჩუნებისა და გადიდების გზები და საშუალებანი (ფიზ. ვარჯიშის რაციონალური კომპლექსი. ზოგიერთი პროფილაქტ., მ. შ. ფარმაკ. საშუალებანი) გამოიყენება არა მარტო კოსმონავტების შერჩევისა და მომზადებისას, არამედ ჩვეულებრივ (დედამიწის) პირობებში ორგანიზმის ფიზიოლ. ზოგიერთი პრობლემის გადასაწყვეტად. *დ. ჯოხაძე.*

კოსმოსური ფსიქოლოგია, საინჟინრო ფსიქოლოგიის დარგი. შეისწავლის კოსმონავტების მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელ ფსიქოფიზიოლ. და ფსიქოლ. ფაქტორებს. კოსმოსში ფრენა, კოსმოსურ სივრცეში თუ სხვა პლანეტებზე გასვლა მეცნ. და სხვა სახის სამუშაოთა ჩატარების მიზნით შეუძლებელია ადამიანის ფიზ. და ფსიქ. მოქმედების მაღალი დონის შესანარჩუნებლად საჭირო პირობების შექმნისა და უზრუნველყოფის გარეშე. ამასთან, კოსმოსში ფრენა, არსებობა და მუშაობა დაკავშირებულია ადამიანისათვის ისეთი უჩვეულო, განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებასთან, როგორიცაა უწონადობა ან შეცვლილი გრავიტაცია, ჰიპოდინამია, რადიაცია, შეზღუდული სივრცე და იზოლაცია, „სენსორული შიმშილი", მარტოობა ან შეზღუდული სოც. გარემო და სხვ.

ლიტ.: Л е о н о в А. А., Л е б е д е в В. И., Психологические особенности деятельности космонавтов, М., 1971; Ш а р п М., Человек в длительном космическом полете, М., 1971. *გ. კეჩხუაშვილი.*

კოსმოსური ხომალდი, ადამიანთა ფრენისათვის განკუთვნილი *კოსმოსური საფრენი აპარატი.* აქვს კოსმონავტების სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემის მქონე ჰერმეტული კაბინა. გეოცენტრულ ორბიტებზე ფრენისათვის გათვალისწინებულ კ. ხ-ს თანამგზავრი ხომალდი ეწოდება, სხვა ციური სხეულებისაკენ გაფრენისათვის განკუთვნილს კი — საპლანეტათშორისო (საექსპედიციო) კ. ხ. იქმნება ისეთი კ. ხ., რ-საც მრავალჯერ გამოიყენებენ დაბალ გეოცენტრულ ორბიტაზე ტვირთისა და ხალხის მისაყვანად და უკან დასაბრუნებლად. უფრო მაღალ ორბიტებზე გადასვლისათვის გამოიყენებენ ავტომ. რაკეტა-ბუქსირებს, ხოლო გეოცენტრულიდან სელენოცენტრულ, პლანეტოცენტრულ და სხვ. ორბიტაზე გადასასვლელად იქმნება კ. ხ.—ბუქსირების პროექტები.

უკვე განხორციელებულია ფრენები „ვოსტოკის", „ვოსხოდის", და „სოიუზის" სერიის საბჭ. კ. ხ-ებისა, აგრეთვე „მერკურის", „ჯემინისა" და მთვარეზე საფრენი საექსპედიციო „აპოლონის" სერიის კ.ხ-ებისა.

კოსმოქიმია (*კოსმოსი* და *ქიმია*), მეცნიერება კოსმოსური სხეულების ქიმიური შედგენილობის, სამყაროში ელემენტების გავრცელებისა და განაწილების კანონების, კოსმ. ნივთიერების წარმოქმნის დროს ატომების შერწყმისა და მიგრაციის შესახებ. კ-ის ყველაზე უფრო შესწავლილი ნაწილია *გეოქიმია.*

კ. იკვლევს ძირითადად „ცივ" პროცესებს ნივთიერებათა ატომურ-მოლეკულური ურთიერთქმედების დონეზე. კოსმოსში მიმდინარე „ცხელ" ბირთვულ პროცესებს (ნივთიერების პლაზმურ მდგომარეობას და მისთ.) კი ძირითადად ფიზიკა შეისწავლის. კ. ახ. მეცნიერებაა, რ-იც მნიშვნელოვნად განვითარდა XX ს. II ნახევარში კოსმონავტიკის განვითა.. რებასთან ერთად. ადრე კოსმ. სივრცეში მიმდინარე ქიმ. პროცესისა და კოსმ. სხეულების შედგენილობას *სპექტრული ანალიზის* საშუალებით შეისწავლიდნენ. კოსმონავტიკის განვითარებამ, ავტომ. სადგურების და კოსმონავტების მთვარეზე დაშვებამ, მთვარის ზედაპირის ნიმუშების დედამიწაზე ჩამოტანამ შესაძლებელი გახადა ამ ნიმუშების უშუალო ქიმ. შესწავლა. ამასთან ავტომ. სადგურებმა ანალიზების სერია ჩატარეს უშუალოდ მარსისა და ვენერას ზედაპირზე.

ვარსკვლავთშორის სივრცეში ძალიან მცირე კონცენტრაციით არის აღმოჩენილი ბევრი ელემენტის ატომები და მოლეკულები, აგრეთვე მინერალებიც (კვარცი, სილიკატები, გრაფიტი და ა. შ.); მიმდინარეობს სხვადასხვა რთული ორგ. ნაერთების სინთეზი, რ-ებიც წარმოიქმნებიან მზის პირველადი აირებისა (H_2, CO, NH_3, O_2, N_2, S) და სხვა მარტივი ნივთიერებებისაგან, სხვადასხვა ტიპის გამოსხივების მონაწილეობით. 1980 წლისათვის აღმოჩენილია მოლეკულათა 30-მდე ტიპი, მ. შ. 7 ატომის შემცველი რთული მოლეკულებიც. კოსმ. სხეულებს შორის მიმდინარეობს ნივთიერების ცვლა. მაგ. დედამიწაზე ყოველწლიურად დაახლ. 10^4 ტ. კოსმ. მტვერი იყრება. კოსმოსში მიმდინარე გარდაქმნებს ახლავს დასხივება, რაც ბირთვულ რეაქციებს განაპირობებს, ეს კი ცვლის ნივთიერებათა იზოტოპურ და ატომურ შედგენილობას. კოსმ. სხეულებს, მაგ. მეტეორიტებს, იზოტოპური შედგენილობის გარკვევა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ როგორი იყო წარსულში გალაქტიკური გამოსხივების შედგენილობა, ინტენსივობა და მოდულაცია.

კოსოველი (Kosovel) სლოვენელი (18. III. 1904, სეჟანა, — 27. V. 1926, ტომაი), სლოვენი პოეტი. რედაქტორობდა პროგრ. სტუდენტთა ჟურნალს „მლადინა" („Mladina", 1924). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1922-იდან. კ-ის ლექსები გამოირჩევა მდიდარი და უჩვეულო რითმებით, მეტაფორათა სიახლით, მელოდიურობით („წითელი ატომი", „რევოლუცია", „სიკვდილის ექსტაზი" და სხვ., გამოქვეყნდა 1945 შემდეგ). მნიშვნელოვანია კ-ის ესეი ხელოვნების როლის შესახებ („ხელოვნება და პროლეტარი", 1926). კ-ის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა სლოვ. პოეზიის ჰორიზონტი.

კოსოვი, ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ ივანოვო-ფრანკოვსკის ოლქში, გაშენებულია კარპატების მთისწინეთში მდ. რიბნიცის ნაპირზე. კოსოვის რ-ნის ცენტრი. უკრ. ხალხური ხელოვნების (ხეზე მხატვრული კვეთა, კერამიკა, ქარგვა, ქსოვა, ლითონის მხატვრული დამუშავება) მნიშვნელოვანი ცენტრი (XVII ს-იდან). ხელოსნები გაერთიანებული არიან სამხატვრო-საწარმოო გაერთიანება „გუცულშჩინაში". XIX ს. და XX ს. I ნახ. ოსტატთა ტრადიციებს აგრძელებენ ხალხ. ხელოვნ. ცნობილი ოსტატები — ნ. კიშჩუკი, ი. ტომკიეი, ა. როშჩიბიუკი და სხვ. კ-ში არის უკრ. სსრ სამხატვრო ფონდის სახელოსნოები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ (ხალხური არქიტექტურა და საყოფაცხოვრებო ინტერიერი), „გუცულშჩინის" საგამოფენო პავილიონი და სხვ.

კოსოვო (ძვ. სახელწ. კ ო ს ო ვ ო დ ა მ ე ტ ო ხ ი ა), ავტონომიური მხარე იუგოსლავიაში, სერბიის სრ-ში. ფართ. 10,9 ათ. *კმ²*. მოსახლ. 1,4 მლნ. კაცი (1975). ადმ. ც. — ქ. პრიშტინა. ტერიტ. უმეტესი ნაწილი უჭირავს კოსოვო-პოლესა და მეტოხიის ქვაბულებს, სადაც მდებინება მდ-ები თეთრი დრინი და იბარი. ჰავა ზომიერი კონტინენტურია. იანვ. საშ. ტემპ-რა დაახლ. 0°C, ივლ. 20°C. ნალექები 600—700 *მმ* წელიწადში. მთის კალთებზე ფართოფოთლოვანი ტყეებია.

კ. უმთავრესად აგრ. მხარეა. მოჰყავთ მარცვლეული, თამბაქო. განვითარებულია მებოსტნეობა, მებალეობა, მევენახეობა. მთაში აშენებენ მსხვ. რქ. საქონელს და ცხვარს. იღებენ ტყვია-თუთიის მადანს, ლიგნიტს ქრომიტსა და მაგნეზიტს. ადნობენ ტყვიასა და თუთიას. განვითარებულია ქიმ., ცემენტის, ხის დასამუშ., ქაღალდის, საფეიქრო, ტყავის, კვების მრეწველობა.

VIII—XII სს-ში კ-ს ტერიტ. რაშკის, ხოლო შემდეგ სერბიის სახელმწიფოს ცენტრ. ნაწილი იყო. XV ს-ში სერბიის სხვა მიწებთან ერთად ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. XVI—XVIII ს-ში კ-ს ტერიტორიაზე ხშირი იყო ანტიოსმ. აჯანყებები, სერბი მოსახლ. მასობრივად მიდიოდა ემიგრაციაში. 1913 კ-ს ტერიტ. ჩერნოგორიამ და სერბიამ გაიყვეს. 1918 იგი შეეადა სერბების, ხორვატებისა და სლოვენების სამეფოს (1929-იდან იუგოსლავიის) შემადგენლობაში. 1941 ოკუპირებული იყო გერმ. ფაშისტთა ჯარების მიერ; 1944 ბოლოს გაათავისუფლეს იუგოსლ. სახ.-განმათ. არმიამ და ალბ. სახ. განმათ. არმიის ნაწილებმა. 1945—63 კოსოვოსა და მეტოხიის ავტონ. ოლქი ერქვა, 1963—69 — ავტონ. მხარე, 1969-იდან — კ.

კოსპარი (COSPAR)), სამეცნიერო კავშირების საერთაშორისო საბჭოსთან არსებული კოსმოსური სივრცის გამომკვლევი კომიტეტი. შეიქმნა 1958 რაკეტებისა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მეშვეობით კოსმ. სივრცის მეცნ. გამოკვლევის საერთაშ. მასშტაბით კოორდინირების მიზნით. აერთიანებს სხვადასხვა მუშა ჯგუფებს, რ-ებიც იკვლევენ შემდეგ დარგებს: კოსმ. ექსპერ. პროექტები და კოორდინაცია, დედამიწის ზედა ატმოსფეროს თვისებები, კოსმ. ბიოლოგია, ტროპოსფეროს და სტრატოსფეროს თვისებები, ტელემეტრია, დინამიკა და სხვ. კ. ყოველწლიურად აწყობს პლენარულ თათბირებს და საერთაშ. სამეცნ. სიმპოზიუმებს.

კოსტა (Costa) ლუსიუ (დ. 27. II. 1902, ტულონი, საფრანგეთი), ბრაზილიელი არქიტექტორი. დაამთავრა რიო-დე-ჟანეიროს ეროვნ. სამხატვრო სკოლა (1924). თანამედროვე არქიტ. ბრაზ. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ოსტატურად ახამებს ფუნქციონალისტური არქიტ. გამოცდილებას ეროვნ. ტრადიციებთან. ნამუშევრები: განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტრო (1937—43; ო. ნიმეიერთან, ა. ე. რეიდსა და სხვ. ერთად) და საცხოვრ. სახლები (1948—54) რიო-დე-ჟანეიროში, ბრაზ. პავილიონი ნიუ-იორკის მსოფლიო გამოფენაზე (1939 ო. ნიმეიერთან ერთად); ქ. ბრაზილიის გენ. გეგმის (1957) ავტორი.

კოსტაპა გრიგოლ ქრისტეფორეს ძე (30.





კოსოვი. ხალხური შემოქმედებითი სარეწების ნაკეთობანი: ზემოთ—ი. ბ ა რ ა ნ ი უ კ ი. ჯამი. თიხა. ანგობი, მოხატულობა. XIX ს. ბოლო. ეთნოგრაფიისა და მხატვრული სარეწების მუზეუმი, ლვოვი. შუაში—თ. ი ა კ ი ბ ი უ კ ი ჩანთა. ტყავი. თითბერი. 1929. ქვემოთ — პ. ც ვ ი ლ ი კ ი. მოხატული თიხის ჭურჭელი. ანგობი, 1961. ორივე—უკრაინის ხალხური დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი. კიევი.



ლ. კ ო ს ტ ა. საცხოვრებელი სახლი „ნოვა სინტრა". რიო-დე-ჟანეირო. 1948.

ბ. კოსტაკა.

IX. 1907, ქუთაისი, — 10. VI. 1979, თბილისი), ქართველი საბჭ. მსახიობი, საქ. სსრ-სახ. არტისტი (1965). 1928—31, 1935—45 კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო, 1931—34, 1955—56 მუშაობდა ლ. მესხიშვილის სახ. ქუთ. დრამ. თეატრში, ხოლო 1956-იდან სიცოცხლის ბოლომდე კვლავ მარჯანიშვილის თეატრში. წარმატებით ასრულებდა როგორც დრამ., ისე სახასიათო როლებს. გამოირჩეოდა სცენადავით, განცდის უშუალობით, არაჩვეულებრივი მხატვრული ტაქტითა და ზომიერების გრძნობით. კ-ს მიერ შექმნილ სახეთა შორის აღსანიშნავია: იაგო (უ. შექსპირის „ოტელო"), გაიოზი (ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა"), მოწაფე (ბ. შოუს „ეშმაკის მოწაფე") — ქუთ. თეატრში; დე სანტოსი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა"), აპრაკუნე, შამილი (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „შამილი"), ლომკაცა (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), ილარიონი (ნ. დუმბაძის, გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), და სხვ. — მარჯანიშვილის თეატრში. გადაღებულია ფილმებში „ქალიშვილი გალმიდან" (ჯაშუში), „ნინო" (არჩილი), „ბაში-აჩუკი" (ფარნა), „მაია წყნეთელი", (ამილახვარი) და სხვ.

კოსტანდინ ერზნკაცი, კოსტანტინე ერზინკელი (დაახლ. 1250, ქ. ერზინკა, დას. სომხეთი, — XIV ს. I ნახ.), სომეხი პოეტი. სწავლობდა ქ. ერზინკის ერთ-ერთ მონასტერში. თავისი დროის მოწინავე მოაზროვნე იყო. ლექსებში უმღეროდა გაზაფხულს, მზეს, ქალის სილამაზეს, ღვინოს. მისი რელიგ. ლექსებიც კი ბუნებისა და სიყვარულის ჰიმნია. კ. ე-ის ნაწარმოებებში ასახულია სომხ. საზ. ცხოვრების მოვლენები, ზნეობა, სოც.-ეკონ. ურთიერთობანი.

„კოსტანტი კახის მარტვილობა", IX ს. ქართული ანონიმური ჰაგიოგრაფიული თხზულება. მისი მთავარი გმირია ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული პატრიოტი, ქართლის გავლენიანი დიდებული კოსტანტი კახი. 853 არაბებმა ბუღა თურქის მეთაურობით თბილისი დაიპყრეს, გადაწვეს და ამირა საჰაკ ისმაილის ძე მოკლეს; ხანდაზმული კოსტანტი კახი, „ვიეარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა" თავისი ლაშქრით წინ აღუდგა უცხო დამპყრობლებს. ამის გამო ის შეიპყრეს, ჯერ თბილისის საპყრობილეში მოათავსეს, შემდეგ ქ. სამარაში გაგზავნეს და მეფე ჯაფარ აბრაჰამის ძეს წარუდგინეს, რ-მაც მას ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა. კოსტანტი კახმა დიდი სულიერი სიმხნევე გამოიჩინა და სარწმუნოების გამოცვლაზე მტკიცე უარი მოახსენა მეფეს, რისთვისაც 853 წ. 10 ნოემბ. თავი მოჰკვეთეს. „კ. კ. მ." შეთხზულია 853—856 წლებში, ბიზანტ. დედოფლის თეოდორას (გარდ. 856) მეფობის დროს. ავტორი თანამედროვეა, მაგრამ ის არ უნდა იყოს კოსტანტი კახის დაახლოებული პირი ან მისი მარტვილობის თვითმხილველი. მან არც წამებულის ბიოგრაფია იცის კარგად და ამბავს უფრო ზოგადად, სხვისი გადმოცემით ყვება. მიუხედავად ამისა, თხზულება ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა IX ს. შუა წლების საქართვ. პოლიტ. ცხოვრების გასათვალისწინებლად.

„კ. კ. მ-ის" ხელნაწერები XVIII ს-იდან გვხვდება. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა მ. საბინინმა 1882; 1925 ლათ. თარგმანითურთ გამოსცა პ. პეეტერსმა.

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგნ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

ი. ლოლაშვილი.

კოსტა-რიკის რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი.

კოსტა-რიკა (Costa Rica), კოსტა-რიკის რესპუბლიკა (República de Costa Rica), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ფართ. 50,9 ათ. *კმ²*. მოსახლ. 2,07 მლნ. კაცი (1977). დედაქალაქი — სან-ხოსე. ოფიც. ენა — ესპანური. ეროვნ. დღესასწაულია 15 სექტ. — დამოუკიდებლობის დღე (1821). ოფიც. *კალენდარი*—გრიგორიანული. ფულის ერთეულია კოლონი. 10 კოლონი 1,17 აშშ-ის დოლარს (1978). ადმინისტრაციულად კ.-რ. იყოფა 7 პროვინციად.

კ.-რ. რესპუბლიკაა. მოქმედებს 1949 კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის საკანონმდებლო ასამბლეას (ერთპალატიან პარლამენტს). საარჩევნო უფლება მოქალაქეებს 18 წლიდან ეძლევათ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი (მოსახლ. 4 წლით ირჩევს), რ-იც აღმასრ. ხელისუფლებას ახორციელებს და სათავეში უდგას მინისტრთა კაბინეტს—მთავრობას.

სახელმწ. გერბი და სახელმწ. დროშა—იხ. ფერადი ჩანართი სტატიებთან *სახელმწიფო გერბი, სახელმწიფო დროშა.*

ბუნება. ქვეყნის დიდი ნაწილი უჭირავს ვულკ. ქედებს — კორდილიერა-დე-გუანაკასტესა და კორდილიერა-სენტრალს. უკანასკნელის სამხრ.-დას.-ით მდებარეობს ვულკ. პლატო, რ-ის სამხრ.-დას. კიდეზე აღმართულია კორდილიერა-დე-ტალამანკა (მთა ჩირიპო-გრანდე, 3820 *მ*). ჩრდ.-ით და ზღვის ნაპირების გასწვრივ დაბლობია. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება რკინის მადანი, გოგირდი, ბოქსიტი, ვერცხლი და ოქრო. ჰავა სუბეკვატორულია. დაბლობზე იანვ. საშ. ტემპ-რაა 23°C, ივლისისა 25°C. ნალექები აღმ-ით 3000 *მმ*-მდეა წელიწადში, დას-ით — 1000—1500 *მმ*. მდ-თა ქსელი ხშირია. ტერიტ. თითქმის 2/3 ტყეს უჭირავს. აღმ-ით მარადმწვანე ტყეებია, დას-ით — სავანა და ფოთოლმცვივანი ტყეები. ცხოველთა სამყარო მრავალფეროვანია. სანაპირო წყლები მდიდარია თევზით.



მოსახლეობა. მოსახლ. 80%-ს შეადგენს *კოსტარიკელები* — ძირითადად ესპ. კოლონისტთა შთამომავლები არიან. ცხოვრობენ აგრეთვე მეტისები, ზანგები, მულატები. მცირე რაოდენობით — მკვიდრი მოსახლეობა (ინდიელები). სახელმწ. რელიგიაა — კათოლიკობა.

ეკონომიკურად აქტ. მოსახლ. დაახლ. 40% დასაქმებულია სოფ. მეურნეობაში. მოსახლ. 3/4 ცხოვრობს ცენტრ. პლატოზე. მნიშვნელოვანი ქ-ებია სან-ხოსე (228,3 ათ. მცხ., 1977), ალახუელა, ლიმონი, პუნტარენასი, ტურიალბა.

ისტორიული ნარკვევი. კ.-რ. უძველესი დროიდან დასახლებული იყო ინდიელი ტომებით. 1502 აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა და ეწოდა ნუევო-კარტაგო (ახალი კართაგენი). კ.-რ. ესპანურად მდიდარ სანაპიროს ნიშნავს. ეს სახელი ქვეყანას XVI ს. შუა წლებიდან ეწოდება. კ.-რ-ის დაპყრობა ესპანელებმა 1513-იდან დაიწყეს, 1560 გვატემალის საგენერალ-კაპიტნოს შეუერთეს, მაგრამ კ.-რ-ის საბოლოოდ დაუფლება ესპანელებმა მხოლოდ 60-იან წლებში შეძლეს. 1821 წ. 15 სექტ. გამოცხადდა კ.-რ-ის დამოუკიდებლობა. 1822 კ.-რ. მექს. იტურბიდეს იმპერიას შეუერთდა. მექს. იმპერიის დაცემის შემდეგ 1823 ცენტრ. ამერ. შეერთებული პროვინციების ფედერაციაში შევიდა. კ.-რ-ის დედაქალაქად ქ. სან-ხოსე გამოცხადდა. ამ პერიოდში კ.-რ-ში ჩამოყალიბდა პოლიტ. პარტიები: კონსერვატიული (მემამულეთა) და ლიბერალური (ძირითადად სავაჭრო ბურჟუაზია). 1825 მიიღეს I კონსტიტუცია. 1838 კ.-რ. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოიყო. 50-იანი წწ. ბოლოდან იწყება კ.-რ-ის ეკონ. აღმავლობა. დაიწყო ყავისა და ბანანის საექსპორტო წარმოება. 70-იან წლებში ქვეყანაში შეიჭრა ჩრდ.-ამერ. კაპიტალი. („იუნაიტიდ ფრუტ კომპანიმ" ხელში ჩაიგდო ქვეყნის ტერიტ. 10%). 1901 დაარსდა ეროვნ.-რესპ. პარტია, რ-იც ბურჟ. ბანკირების, პლანტატორების ინტერესებს გამოხატავდა. 1931 შეიქმნა კომპარტია (1943-იდან ეწოდა *სახალხო ავანგარდის პარტია*, კოსტა-რიკის სპ.). 1943 შეიქმნა კ.-რ-ის მშრომელთა კონფედერაცია, მიიღეს I შრომის კოდექსი. 1944 მაისში კ.-რ-მ დიპლ. ურთიერთობა დაამყარა სსრკ-თან (თუმცა ელჩები არ გაუცვლიათ). პრეზიდენტების გუარდიასა და ტ. პიკადოს (1944—48) „ახალმა სოციალურმა პოლიტიკამ", რ-იც ბურჟ. დემოკრ. გარდაქმნების ჩარჩოებს არ სცილდებოდა, ადგილ. რეაქციის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია, მათ მხარს უჭერდა აშშ-ის მონოპოლიები. ქვეყანაში იფეთქა სამოქალაქო ომმა. კ.-რ-ში ნიკარაგუის დიქტატორის სომოსას ჯარები შეიყვანეს. ძალაუფლება ხელში აიღო ხუნტამ ხ. ფიგერესის მეთაურობით (1948—49), რ-მაც საპ კანონგარეშე გამოაცხადა, დაათხოვა მშრომელთა კონფედერაცია, რეგულარული ჯარი ს. ოფალაქო გვარდიით და პოლიციით შეცვალა. 1970 ქვეყნის პრეზიდენტი კვლავ ხ. ფიგერესი გახდა. მის მიერ განხორციელებული ზოგიერთი სოც.-ეკონ. გარდაქმნა ქვეყნის ეროვნ. ინტერესების დაცვისაკენ იყო მიმართული. 1974 ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა დანიელ ოდუბერ კიროსი, რ-იც სახელმწ. სექტორის გაძლიერებისა და უცხოეთის კაპიტალის გავლენის შეზღუდვის კურსს აგრძელებდა. 1978 თებ. ჩატარდა საყოველთაო არჩევნები. ახალ პრეზიდენტად აირჩიეს როდრიგო კარასო ოდიო.

ეკონომიკა. კ.-რ. აგრ. ქვეყანაა. ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს უცხ. კაპიტალი. სოფ. მეურნეობაში ჭარბობს წვრილი და საშ. მიწათმფლობელობა. მუშავდება ტერიტ. დაახლ. 20%; მთავარი საექსპორტო კულტურაა ყავა (87 ათ. *ტ*, 1976). მოჰყავთ (ათ. *ტ*, 1976): ბანანი—1228, კაკაო — 6, ბრინჯი — 150, სიმინდი — 84, სორგო — 33, ლობიო — 18, ციტრუსები — 70. 1976 კ.-რ-ში იყო (ათ. სული): მსხვ. რქ. საქონელი — 1894, ღორი — 215.

მოპოვებითი მრეწვ. სუსტადაა განვითარებული. მცირე რაოდენობით იღებენ ოქროს, ვერცხლს, მარილს. 1975 ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე იყო 407 ათ. *კვტ* (მ. შ. 241 ათ. *კვტ* იძლეოდა ჰესები), ელექტროენერგიის წარმოებამ შეადგინა 1646 მლნ. *კვტ.სთ.* დამუშავები-

თი მრეწვ. დარგებიდან 1950-იანი წლების შუა ხანებამდე განვითარებული იყო კვების, საფეიქრო, ტყავ-ფეხსაცმლისა და ხის დასამუშ. მრეწვ., მოგვიანებით უცხოეთის (უმთავრესად აშშ-ის) კაპიტალით აშენდა ცემენტის, ლითონდასამუშ., ავტოსაამწყობო, ნავთობგადასამუშ. და ქიმ. საწარმოები. მთავარი სამრეწვ. ცენტრია სან-ხოსე.

რკინიგზის სიგრძეა 1,3 ათ. *კმ*, საავტ. გზებისა — 21,7 ათ. *კმ*, მ. შ. 1,6 ათ. *კმ* მაგარსაფრიანია (1976). მთავარი ნავსადგურებია: ლიმონი — კარიბის ზღვის სანაპიროზე და პუნტარენასი — წყნარი ოკ. სანაპიროზე. არის 2 აეროპორტი.

1977 ექსპორტმა შეადგინა 6758 მლნ. კოლონი, იმპორტმა — 8565 მლნ. გაავქვთ ყავა, ბანანი, ხორცი და ხორცის პროდუქტები, შაქარი, ქიმ. საქონელი. შეაქვთ სამრეწვ. საქონელი, სატრანსპ. საშუალებანი, სათბობი, სურსათი. მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან აშშ, გფრ., ცენტრ. ამერ. საერთო ბაზრის ქვეყნები.

განათლება. 1944 კანონით დაწესებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება 7—14 წლის ასაკის ბავშვებისათვის. არის სკოლამდელი დაწესებულებები 5—6 წლის ასაკის ბავშვებისათვის (1978 იყო 6 ათ-ზე მეტი აღსაზრდელი). დაწყ. სკოლა 5—6-წლიანია ქალაქად და 1—4-წლიანი — სოფლად. 1978 დაწყ. სკოლაში სწავლობდა 370 ათ-ზე მეტი მოსწავლე. საშ. სკოლა 6-წლიანია (3+3). 1978 საშ. სკოლაში სწავლობდა 80 ათ. მოსწავლე. ბევრი საშ. სკოლა ეკუთვნის ეკლესიას. პროფსწავლება ფასიანია. 5-წლიანი სამრეწვ. და სავაჭრო კოლეჯები მუშაობს დაწყ. სკოლის ბაზაზე. 1978 სწავლობდა 7 ათ.-ზე მეტი მოსწავლე. დაწყ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს 2-წლიანი ნორმალური სკოლები, 1978 სწავლობდა 20 ათ-ზე მეტი მოსწავლე. საშ. სკოლის მასწავლებლებს ამზადებს უნ-ტი. უმაღლესი სასწავლებელია კ.-რ-ის უნ-ტი სან-ხოსეში (დაარსდა 1843; სწავლება ფასიანია, 1978 სწავლობდა 7 ათ-ზე მეტი სტუდენტი).

სამეცნ.-კვლ. მუშაობის ცენტრია კ.-რ-ის უნ-ტი, არის აგრეთვე 2 აკადემია — ენისა და ისტ., რამდენიმე პატარა კვლ. ინ-ტი და ცენტრი.

სან-ხოსეში არის ეროვნ. ბ-კა (დაარსდა 1888; 175 ათ. ტ.), ეროვნ. მუზეუმი (1887), უნ-ტის სახვ. ხელოვნ. ფაკ-ტის გალერეა.

კულტურა. კ.-რ-ის ლიტ-რა ვითარდება ესპ. ენაზე. კოლონ. პერიოდის ლიტ-რა არ არის შესწავლილი. ლიტ-რის აღმავლობა დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1821) შემდეგ. XX ს. დასაწყისში მთავარი მიმდინარეობა იყო *კოსტუმბრიზმი* (ხ. გარსია მონხე, 1881—1958; მ. გონსალეს სელედონი, 1864—1936 და სხვ.). ეროვნ. მოტივი იყო გაბატონებული პოეტთა ერთობლივ კრებულში „კოსტარიკული ლირა" (1891). ანტიიმპერიალ. ტენდენციები გამოვლინდა კ. გახინის (1865—1925), ხ. მარინა კანიასის (დ. 1904) და სხვ. რომანებში; მნიშვნელოვანი სოც. ნაწარმოებები შექმნეს ხ. კარდონამ (1863—1930), კარმენ ლირამ (1888—1951) და სხვ. 40-იან წლებში გავრცელდა მოდერნისტული მიმდინარეობები (ა. კარდონა პენია, დ. 1917), ლიტ-რის ძირითად თემად იქცა სოც. ბრძოლის თემა. დღითიდღე იზრდება პროგრ. მწერალთა რიცხვი; მსოფლიო აღიარება მოიპოვეს მწერალმა-კომუნისტებმა კ. ლ. ფალიასმა (1909—66), ხ. გუტიერესმა (დ. 1918), კ. ლ. საენსმა (დ. 1891) და სხვ.

კ.-რ-ის ძვ. ხელოვნება ვითარდებოდა მექს., პანამისა და კოლუმბიის ცივილიზაციათა გავლენით. XVIII ს. წინა ხანის შენობები მიწისძვრებისა და მეკობრეთა თარეშის გამო არ შემონახულა. XVIII ს. ძეგლთაგან აღსანიშნავია ერედიისა და ოროსის ეკლესიები. ქ-ები არის სწორად დაგეგმარებული და უხვად გამწვანებული; განაშენიანებულია ძირითადად ერთსართულიანი სახლებით. გარეუბნებში პალმის ტოტებით ნაგები ინდიელთა ქოხებია. XIX ს-ში გაჩნდა სახვ. ხელოვნება (მოქანდაკე ფ. გუტიერესი, ხ. მორა გონსალესი; ფერმწერი ე. ეჩაუდი). 1920-იანი წლებიდან ყალიბდება სახვითი ხელოვნ. ადგილ. სკოლა; ინდიელთა ტიპური სახეები შექმნა მოქანდაკე ფ. სუნიგამ. ხალხ. ხელოვნ. დარგებიდან გავრცელებულია ხეზე კვეთა და ეტლების („კარეტების") სხვადასხვაფრად მოხატვა, ქსოვა, ქარგვა და წენა.

ლიტ.: Гонионский С. А., Очерки новейшей истории стран Латинской Америки, М., 1964, с. 201—207; Мамонтов С. П., Испаноязычная литература стран Латинской Америки в XX в., М., 1972; Народы Америки, т. 2, М., 1959.

კოსტარიკელები, კოსტა-რიკის ძირითადი მოსახლეობა. რაოდ. 2,07 მლნ. კაცზე მეტი (1977, შეფასება). ლაპარაკობენ ესპ. ენაზე. მორწმუნე კ. ძირითადად კათოლიკეები არიან, წარმომავლობით ესპ. კოლონისტთა (XVI—XVII სს.) შთამომავლები (ინდიელთა და ზანგთა მცირე მინარევით). კ-თან თანდათან ასიმილირდებიან ზანგები (ვესტინდოეთის კ-ებიდან გადმოსახლებულები) და ნაწილობრივ ინდიელები. კ-ის დიდი ნაწილი მუშაობს სოფ. მეურნეობაში (ყავის, კაკაოს, ბანანის პლანტაციები). ქალაქის მცხოვრებნი დასაქმებული არიან მრეწველობაში, ვაჭრობაში, ხელოსნობასა და სხვ. დარგებში. კ-ის კულტურა ახლოა ესპანურთან.

კოსტენკო მიხეილ პოლიევქტის ძე [16 (28). XII. 1889, სოფ. ვეიდელიოვკა, ამჟამად ბელგოროდის ოლქის ვალუისკის რ-ნი, — 18. XII. 1976, ლენინგრადი], საბჭ. ელექტროტექნიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), სოციალ. შრომის გმირი (1969). 1918 დაამთავრა პეტროგრ. პოლიტექ. ინ-ტი. მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტში (1933-იდან — პროფესორი). საკავშ. სამეცნ.-კვლ. ელექტრომანქანათმშ. ინ-ტის დირექტორი (1951—66); სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1957—63).

კ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება ელექტრული მანქანების თეორიას და მათ ექსპერ. კვლევასა და დაპროექტებას. იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს V მოწვევის დეპუტატი. სსრკ სახელმწ. პრემია (1949, 1951) და ლენინური პრემია (1958). დაჯილდოებულია 4 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Коллекторные машины переменного тока, ч. 1, Л., 1933; Турбогенераторы, М.—Л., 1939 (თანაავტ.: А. Е. Алексеев); Электрические машины, [ч. 1—2], М.—Л., 1944—49.

კოსტერი (Coster) სამუელ (16. IX. 1579, ამსტერდამი, — 1665, იქვე), ჰოლანდიელი დრამატურგი. აგრძელებდა ჰუმანისტთა დემოკრ. ხაზს. 1617 დააარსა ე. წ. ნიდერლანდის აკადემია, რ-ის მოღვაწეობამ საფუძველი მოუმზადა ჰოლანდ. თეატრსა და ეროვნ. დრამატურგიას. კ-ის მნიშვნელოვანი პიესებია „იფიგენია" (1617), „იზაბელა" (1618), „პოლიქსენა" (1619), „გლეხკაცი ტევისი" (1627), „თამაში ბობოლაზე" (1615).

კოსტერი შარლ დე, იხ. *დე კოსტერი* შარლ.

კოსტიონკი-ბორშევოს ნამოსახლარები, ზედა პალეოლითის ხანის ნამოსახლარები (20-ზე მეტი) მდ. დონის მარჯვ. ნაპირას, ვორონეჟის სამხრ-ით, 2 სოფლის — კოსტიონკისა და ბორშევოს ტერიტორიაზე. 1879 აღმოაჩინა ი. პოლიაკოვმა. გათხრები ჩატარდა XX ს. 20—30-იან წლებსა (პ. ეფიმენკო) და 40—60-იან წლებში (ა. როგაჩოვი). ძირითადი ნამოსახლარებია: კოსტიონკი I (პოლიაკოვის ნამოსახლარი), რ-იც 5 კულტ. ფენას შეიცავდა; ზედაში შემორჩა კერიანი საცხოვრებელი ოთახები და სხვ.; კოსტიონკი II-ზე (ზამიატნინის ნამოსახლარი) აღმოჩნდა მამონტის დიდი ძვლებისაგან აშენებული კერიანი ნაგებობანი (7×8 *მ*). მას ეკვროდა მამონტის ძვლებისგანვე ნაგები დასაკრძალი კამერა, რ-შიც დამარხული იყო კრომანიონელი მჯდომარედ. კოსტიონკი IV-ის (ალექსანდროვკა) ზედა კულტ. ფენაში შემორჩენილი იყო მრგვალი, შიაში კერიანი ნაგებობის ნაშთები, ქვედა ფენაში — მოგრძო ნაგებობათა ნაშთები. კოსტიონკი VIII (ტელმანის ნამოსახლარი) შეიცავდა 4 კულტ. ფენას. კოსტიონკი XI (ანოსოვკა II) შეიცავდა 5 კულტ. ფენას, რ-ებშიც იყო საცხოვრ. ნაგებობათა და სხვ. ნაშთები. კოსტიონკი XIV (მარკინის მთა) შეიცავდა 4 კულტ. ფენას. მე-3-ში აღმოჩნდა ხელფეხმოკეცილად დაკრძალული ნეგროიდული ნიშნების მქონე მამაკაცის შეღებილი ჩონჩხი; კოსტიონკი XV-ზე (გოროდცოვის ნამოსახლარი) აღმოჩნდა დაახლ. 6 წლის ბავშვის შეღებილი ჩონჩხი, რ-იც ჩეხოსლოვაკიაში აღმოჩენილ კრომანიონელს მოგვაგონებს. ბორშევო II-ს ნამოსახლარი შეიცავდა ზედა პალეოლითის დასასრ. და მეზოლითისაკენ გარდამავალი პერიოდის 3 კულტ. ფენას.

კოსტიუმი (ფრანგ. costume), თეატრში სპექტაკლის გაფორმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი—ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი, მორთულობა და სხვ. საგნები, რ-ებსაც მსახიობი იყენებს სცენური სახის შესაქმნელად. რეჟისორის ჩანაფიქრის სრულყოფილად განსახორციელებლად. კ-ის აუცილებელი დეტალებია გრიმი და ვარცხნილობა.

კ-ს იყენებდნენ ჯერ კიდევ ძვ. თამაშობებსა და წეს-ჩვეულებებში, ანტ., შუა საუკ. და აღმოსავლეთის კლასიკურ თეატრში. XIX ს. II ნახევარში კ-ის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მაინინგენის თეატრმა. კ-ის შექმნაზე მუშაობდნენ ცნობილი რუსი მხატვრები: ვ. ვასნეცოვი, ა. ბენუა, ლ. ბაქსტი, კ. კოროვინი, მ. ვრუბელი, ე. ლანსერე; საზღვარგარეთ — კ. ბერარი, ლ. გიშია (საფრანგეთი), მ. ჰარისი (დიდი ბრიტანეთი) და სხვ. აღმოსავლეთის ტრად. კლასიკურ თეატრში (ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია და სხვ.) კ-ს სიმბოლური ხასიათი აქვს. ქართ. თეატრ. ხელოვნებაში კ-ის შექმნაზე მუშაობდნენ ვ. სიდამონ-ერისთავი, პ. ოცხელი, ი. გამრეკელი, ს. ვირსალაძე, ფ. ლაპაიშვილი და სხვ.

კინოში კ-ის შექმნის დროს აუცილებელია ყველა წვრილმანი დეტალის ზუსტად და ფაქიზად შესრულება, რადგანაც კინემატოგრაფიაში საგნები მსხვილი პლანით გადმოიცემა. ამ დროს ყურადღება ექცევა მასალის ფაქტურას, კინოლენტის თვისებას (ლენტის მგრძნობიარობა, ფერების გადმოცემის უნარი) და სხვ. თანამედროვე კინოს ცნობილი მხატვრები არიან ვ. ეგოროვი, ე. ენეი, ნ. სუვოროვი, რ. მირზაშვილი, გ. გიგაური, კ. ხუციშვილი, ქ. ლებანიძე, შ. გოგოლაშვილი და სხვ.

კოსტიუშკო (Kościuszko) ტადეუშ (4. II. 1746, სოფ. ვოლინის მერეჩევშჩინა, — 15. X. 1817, ზოლოთურნი, შვეიცარია, გადაასვენეს კრაკოვში), პოლონეთის პოლიტ. და სამხ. მოღვაწე. შლიახტური ოჯახიდან. მონაწილეობდა ჩრდ. ამერიკაში დამოუკიდებლობისათვის ომში 1775—83 (ჯერ პოლკოვნიკის, შემდეგ ბრიგადის გენერლის ჩინით). 1784 დაბრუნდა პოლონეთში. 1789 ოთხწლიანი სეიმის (1788—92) მიერ გატარებული პროგრ. რეფორმების შემდეგ დანიშნეს ბრიგადის მეთაურად (გენ.-მაიორის ჩინით). მონაწილეობდა რეაქციული ტარგოვიცის კონფედერაციის (1792) წინააღმდეგ სამარ მოქმედებაში. პოლ. მთავრობის კაპიტულაციის შემდეგ ვადადგა და წავიდა საქსონიაში. იყო პოლ. აღორძინებისათვის ბრძოლის სამზადისში მყოფი პატრ. ძალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1793 უშედეგოდ ცდილობდა მიეღო პარიზის რევ. მთავრობის მხარდაჭერა. 1794 წ. 24 მაისს კრაკოვში პოლ. აჯანყების დაწყება გამოაცხადა და ეროვნული

პ. კოსტიჩევი.

კოსტრომა. ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატი.

კოსტრომული ჯიშის ფური.

კოსტუმბრიზმი. ვ. პ. დელანდალუს ე. „პიზიტი". 1860—1880-იანი წლები. ეროვნული მუზეუმი. პავანა.

შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. გაიმარჯვა მეფის ჯარებზე რაცლავიცთან ბრძოლაში (4 აპრ.). 10 ოქტ. მაცეიოვიცთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, დაატყვევეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. 1796 გაათავისუფლა პავლე I-მა 12 ათ. პოლონელ ტყვეესთან ერთად. გაემგზავრა აშშ-ში, 1798 პარიზში ჩავიდა. უარი თქვა დირექტორიასთან, ნაპოლეონ I-თან და ალექსანდრე I-თან თანამშრომლობაზე. ჰ. ბოლომდე დარჩა რესპ. და დემოკრ. პრინციპების ერთგული.

კოსტიჩევი პავლე ანდრიას ძე [12 (24). II. 1845, მოსკოვი, — 21. XI (3. XII). 1895, პეტერბურგი], რუსი მეცნიერი, თანამედროვე ნიადაგთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1869 დაამთავრა პეტერბ. სამიწათმოქმედო ინ-ტი. 1876-იდან პეტერბ. სამიწათმოქმედო ინ-ტის და პეტერბ. უნ-ტში ჯერ მასწავლებელი იყო, შემდეგ კი— პროფესორი. 1878 ნიადაგთმცოდნეობის კათედრასთან დააარსა პირველი აგრონ. ლაბორატორია რუსეთში. 1881 დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სოფ. მეურნ. მეცნ. მაგისტრის ხარისხი. მისი ძირითადი ნაშრომები ეხება ნიადაგთწარმოქმნის ბიოლ. საფუძვლებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების გზების შესწავლას. ავტორია „ნიადაგთმცოდნეობის" (ნაწ. 1—3, 1886—87) პირველი რუს. სახელმძღვანელოსი, მას ეკუთვნის აგრეთვე ორიგინ. სასწ. და სამეცნ.-პოპულ. ნაშრომები სოფ. მეურნეობაში.

კოსტკა ნაპიერსკი (Kostka Napierski) (დაახლ. 1620—51) ალექსანდრე, ლეონ (ნამდვ. გვარი ბზოვსკი), პოლონეთის სამეფო ჯარის ოფიცერი. შლიახტიჩი. რეჩ პოსპოლიტის 1651 გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი. ჰ. ნ. დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს, აჯანყება ჩაახშეს.

კოსტოვი სტეფან (30. III. 1879, სოფია, — 27. IX. 1939, იქვე), ბულგარელი მწერალი და ეთნოგრაფი. ბულგ. მეცნ. აკად. წევრი (1928-იდან). დაამთავრა სოფიის უნ-ტი (1907—09). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1903-იდან. ავტორია პიესებისა („მამაკაცთმოძულე", 1914; „კალია", 1931 და სხვ.), რ-ებშიც ბურჟ.-მონარქიული ბულგ. სატირული ტიპების გალერეა შექმნა. ჰ-ის იუმორისტული მოთხრობები გაერთიანდა კრებულში „მეფური ქორწილი" (1936). ჰ. წერდა ეთნოგრ. სტატიებს, თარგმნიდა ფრანგი და გერმ. კლასიკოსების პიესებს.

კოსტომაროვი ნიკოლოზ ივანეს ძე [4 (16). V. 1817, სოფ. იურასოვკა, ახლანდ. ოლხოვატკის რ-ნი, ვორონეჟის ოლქი, — 7 (19). IV. 1885, პეტერბურგი], უკრაინელი და რუსი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მწერალი, კრიტიკოსი. დაამთავრა ხარკოვის უნ-ტი (1837). ჰ-ის საზ.-პოლიტ. და ისტ. მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ი. სრეზნევსკის, დ. *ბანტიშ-კამენსკისა* და სხვ. გავლენით. 1846-იდან იყო კიევის უნ-ტის კათედრის პროფესორი. კირილესა და მეთოდეს საზ-ბის შექმნის ორგანიზატორი (ტ. შევჩენკოსთან და სხვ. ერთად). 1847 ეს საზ-ბა გაანადგურეს, ჰ. დააპატიმრეს და ერთი წლის შემდეგ სარატოვში გადაასახლეს.

1859—62 ჰ. იყო პეტერბ. უნ-ტის რუს. ისტორიის პროფესორი. სახ. მოძრაობას მიუძღვნა შრომა „სტენკა რაზინის ამბოხება" (1858).

რუს. და უკრ. ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ჰ. ბურჟ. ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან განიხილავდა. მისი თეორია „ორი საწყისი" — ვეჩესა და ერთმპყრობლობის შესახებ—აიდეალებდა უკრ. ხალხის წარსულს. ჰ-ის მიერ ხალხის ისტ. გაგება არამეცნიერულია.

თხზ.: Собр. соч., т. 1—21, СПб., 1903—06.

კოსტოპოლი, ქალაქი (1939-იდან) უკრ. სსრ როვნოს ოლქში, მდ. ზამჩისკის (პრიპიატის აუზი) ნაპირზე. კოსტოპოლის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური. ხის დასამუშ. და ტყის მრეწვ. ცენტრი. სახლთსაშენი კომბინატი; სადურგლო ხელსაწყოების, ბაზალტის ნაფხვენის, მინის ქ-ნები, ავეჯის ფ-კა. სამედ. სასწავლებელი. დაარსდა XVIII ს. ბოლოს.

კოსტრომა, მდინარე რსფსრ კოსტრომის ოლქში, მდ. ვოლგის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 354 *კმ*, აუზის ფართ. 16 ათ. *კმ*². სათავე აქვს გალიჩის მაღლობზე. მიედინება დაჭაობებულ დაბლობზე. გორკის წყალსაცავის შექმნის შემდეგ ჰ-ის შესართავთან გაჩნდა ვრცელი ყურე. შერეული საზრდოობის მდინარეა. წყლის საშ. წლ. ხარჯი ქ. ბუისთან 71 *მ*³/*წმ*, მაქს. — 1620 *მ*³/*წმ*. იყინება ნოემბერში, ყინულძვრაა აპრილში, მაისის დასაწყისში. სანაოსნოა ქ. ბუიდან. ჰ-ის ნაპირზეა ქ. სოლიგალიჩი.

კოსტრომა, ქალაქი, რსფსრ კოსტრომის ოლქის ცენტრი. გაშენებულია მდ. ვოლგის ორივე ნაპირზე. ნავსადგური, რკინიგზის სადგური. 255 ათ. მცხ. (1980). დაარსდა XII ს-ში, პირველად იხსენიება 1213. 1719-იდან იყო მოსკ. გუბ. პროვინციული ქალაქი, 1778-იდან — საგუბერნიო ქალაქი. ჰ-ის ფეიქრები მონაწილეობდნენ 1905—07 რევოლუციაში. 1905 შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კოსტრომის 1915 გაფიცვა. საბჭ. ხელისუფლება დამყარდა 1917 წ. 29 ოქტ. (11 ნოემბ.).

ჰ. სელის გადასამუშ. მრეწვ. ერთ-ერთი უდიდესი ცენტრია. განვითარებულია აგრეთვე მანქანათმშ. და ხის დამუშავება. მთავარი საწარმოებია: ვ. ი. ლენინის სახ. და ზვორიკინის სახ. სელის კომბინატები, 4 საფეიქრო ფ-კა, სამშენებლო და საფეიქრო მანქანათსაშ. ქ-ნები. არის ფანერის, ავეჯის, ფეხსაცმლის, კვების, სამკერვალო, საშენ მასალათა მრეწვ. საწარმოები. თეატრები. ქალაქის მახლობლადაა კოსტრომის სრესი.

არქიტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: ღვთის გამოცხადების მონასტრის ტაძარი (1559—65; მოხატულობა 1672), იპატის მონასტერი (XVI—XVII სს.). ჰ. განაშენიანებულია (1781—84 გენ. გეგმის მიხედვით) ქუჩების მარაოსებრი სისტემით. კლასიცისტური სტილის შენობებია: სავაჭრო რიგები (1770-იანი 1830-იანი წწ.), თავადაზნაურთა საკრებულო (1838) და სხვ. ქალაქში დგას ვ. ი. ლენინის (ბრინჯაო, გრანიტი, 1927, მოქანდაკე მ. ლისტოპადი და სხვ.), ივანე სუსანინის (გრანიტი, 1967, მოქანდაკე ნ. ლავინსკი და სხვ.) ძეგლები.

ჰ-ში არის ტექნოლ., სას.-სამ., პედ. ინ-ტები, 10 საშ. სპეც. სასწავლებელი. სელის მრეწვ. კვლევითი ინ-ტი. სახვ. ხელოვნ. მუზეუმი. ისტ.-არქიტ. მუზეუმ-ნაკრძალი. ა. ოსტროვსკის სახ. დრამ. თეატრი, თოჯინების თეატრი.


კოსტრომის ოლქი
44°
ნიკოლსკი
ვნუკოვო
ველიკოვო
ლესნოი
აპუკინ
ტალიცა
222
ბოგოიავლენსკი
ბოგოიავლენსკოე
ვოხმა
ბოლშოე
ბოლშაია
ტალიცა
292
ჩუხლომა
ნიკოლსკოე
ნიკოლა
ბოლშაია
ბერეზოვეცი
ბერეზოვეცი
ბუი
ბუი
ბუ
ბ.
ბ.
ბ.

პოვა უმეტესად ნარკვევის ჟანრში, აგრეთვე დრამატურგიაში, პოეზიასა და რომანში. კ-ის წარმომადგენლები ესპანეთში იყვნენ: რ. მესონერო რომანოსი, მ. ხ. დე ლარა, ს. ესტევანეს კალდერონი და სხვ., ჩილეში — ხ. ხ. ვალიენსო, კოლუმბიაში — ხ. დე დიოს რესტრეპო, ტ. კარასკილია, პერუში — ფ. პარდო, მექსიკაში— მ. პაინო და სხვ. კ-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლათ. ამერ. ქვეყნების გრაფიკასა და სახვითს ხელოვნებაში. მისი ესთეტ. პრინციპია ბუნების დოკუმენტურად ასახვა, ხალხის ცხოვრების თავისებურებათა ეთნოგრ. სიზუსტით გადმოცემა, მშრომელთა ყოფის იდეალური სურათების შექმნა. კოსტუმბრისტების მნიშვნელოვანი სკოლა ჩამოყალიბდა კუბაზე (ვ. პ. დე ლანდალუსე, ფ. მიალე). კ. განვითარდა აგრეთვე კოლუმბიაში (რ. ტორეს მენდესი), არგენტინაში (კ. მორელი), ურუგვაიში (ხ. მ. ბესნეს ი ირიგოიენი), ჩილეში (მ. ა. კარო), მექსიკასა (ხ. ა. არიეტა, 1802—79) და სხვ. ქვეყნებში.

კოსციუშკო (Kosciusko), მწვერვალი ავსტრალიის ალპებში; ავსტრალიის უმაღლესი წერტილი. სიმაღლე 2230 *მ*. აგებულია კრისტ. ქანებით. რელიეფში შემორჩენილია მყინვარული ფორმები. 1200 *მ*-ის ზევით დაახლ. 5 თვე თოვლი დევს. კალთებზე ევკალიპტის და მეხხერი ტყეებია, 1200 *მ* მაღლა — ბოჩქნარი, 1800 *მ* ზევით — მთის მდელოები. სახელი ეწოდა ტ. *კოსტიუშკოს* პატივსაცემად.

კოტა, კოტაჰი, ქალაქი ჩრდ.-დას. ინდოეთში, რაჯასტანის შტატში, მდ. ჩამბალის ნაპირზე. 213 ათ. მკს. (1971). სატრანსპ. კვანძი. მზარდი ინდუსტრ. ცენტრი. მანქანათმშ. (ზუსტი ხელსაწყოების ქ-ნა, აშენდა სსრკ-ის დახმარებით), ქიმ. მრეწველობა.

კოტა-ბარუ (Kota Bharu), ქალაქი და ნავსადგური დას. მალაიზიაში, მალაკის ნ.-კ-ზე, მდ. კელანტანის შესართავთან. კელანტანის შტატის ადმ. ცენტრი. 88 ათ. მკს. (1971). რკინიგზის სადგური. ხე-ტყის ხერხვა, ვერცხლის ნაკეთობათა და ბატიკის ქსოვილების შინამრეწვ. წარმოება.

კოტა-კინაბალუ (Kota Kinabalu), ყოფ. ჯესელტონი, ქალაქი და ნავსადგური აღმ. მალაიზიაში, კ. კალიმანტანის ჩრდ.-დას. სანაპირზე. საბაჰის შტ. ადმ. ცენტრი. 42 ათ. მკს. (1970). რკინიგზის სადგური, აეროპორტი. ტროპ. მიწათმოქმედების რ-ნის სავაჭრო ცენტრი. გააქვთ კაუჩუკი, აგრეთვე საშენი ხე-ტყე, კოპრი და სხვ. განვითარებულია თევზჭერა. დაარსდა 1899. ხელახლა აშენდა II მსოფლიო ომის (1939—45) შემდეგ.

კოტანგენსი (გვიანდ. ლათ. cotangens, შემოკლებული complementi tangens—დამატების *ტანგენსი*), ერთ-ერთი *ტრიგონომეტრიული ფუნქცია*; აღინიშნება ctg სიმბოლოთი. მართკუთხა სამკუთხედის მახვილი კუთხის კ. ეწოდება ამ კუთხესთან მიმდებარე კათეტის შეფარდებას ამ კუთხის მოპირდაპირე კათეტოან.

კოტანოვი თეოდორე ევგენის ძე (დ. 1914, სოფ. ნეონ-ხარაბა, წალკის რ-ნი), საბჭ. კავშირის გმირი (20. IV. 1945). პოლკოვნიკი. სკკპ წევრი 1940-იდან. დიდი სამამულო ომის (1941—45) დროს მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში, ნოვოროსიისკთან, ტაგანროგთან, მარიუპოლთან (ახლანდ. ჟდანოვი), ნიკოლაევთან ბრძოლებში. მონაწილეობდა აგრეთვე უკრ., ბესარაბიის, რუმინ., ბულგ. განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. საბჭ. კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ქ. ნიკოლაევთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ სამხ. სამსახურში იყო. ამჟამად ცხოვრობს ქ. ლენინგრადში. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

კოტანტენი (Cotentin), ნახევარკუნძული საფრანგეთის ჩრდ.-დას. ნაწილში. შემოსაზღვრულია სენის, სენ-მალოს ყურეებითა და ლა-მანშის სრუტით. ნაპირები დაბალია, სუსტად დანაწევრებული, დას-ით — ალაგ-ალაგ კლდოვანი. უმთავრესად აგებულია ქვიშაქვებით, გრანიტებითა და ფიქლებით. ზედაპირი 191 *მ*-მდე სიმაღლის ტალღოვანი ვაკეა. ჰავა ზღვისაა, ზომიერი. მდელოები, მანანიანი. მისდევენ მესაქონლეობას. კ-ის ჩრდ-ით არის ნავსადგ. შერბური.

კოტარბინსკი (Kotarbinski) ტადეუშ (დ. 31. III. 1886, ვარშავა), პოლონელი ფილოსოფოს-ლოგიკოსი. პოლ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (1957—62), ლოძის უნ-ტის რექტორი (1945—49). ვარშავის უნ-ტის პროფესორი (1919—61) და ლოგიკის კათედრის გამგე (1951-იდან). პოლ. ფილოს. საზ-ბის თავ-რე (1927-იდან). ლვოვ-ვარშავის ლოგიკური სკოლის წარმომადგენელი. შემეცნების თეორიის, ლოგიკისა და ეთიკის საკითხებზე დაწერილმა მისმა შრომებმა დიდი როლი ითამაშეს პოლონეთში ლოგიკისა და ფილოს. გავრცელებისა და შესწავლის საქმეში.

კ. არის სსრ კავშირის მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1958).

თხზ.: Избр. произв., М., 1963.

კოტბუსი (Cottbus), ქალაქი გდრ-ში, მდ. შპრეეს ნაპირზე. კოტბუსის ოლქის ადმ. ცენტრი. 110,1 ათ. მკს. (1976). სამდ. ნავსადგური და სატრანსპ. კვანძი. ამზადებენ მაუდს, ხალიჩებს და სხვა საფეიქრო ნაწარმს. განვითარებულია მანქანათსაშ., ხის დასამუშ., კვების მრეწველობა. საინჟინრო-საფეიქრო სკოლა.

კოტბუსი (Cottbus), ოლქი გდრ-ში, პოლონეთის საზღვართან, შუა ევროპის ვაკეზე, მდ. შპრეეს აუზში. ფართ. 8,3 ათ. *კმ*². მოსახლ. 874 ათ. კაცი (1976), გერმანელების გარდა ცხოვრობენ ლუჟიცელები (სორბები). ადმ. ც. — ქ. კოტბუსი.

კ. ინდუსტრ.-აგრ. ოლქია. იგი იძლევა გდრ-ის მურა ნახშირის მოპოვების 2/5-ზე მეტს, ელექტროენერგიის წარმოების დაახლ. 1/2-ს. განვითარებულია ქიმ. (შვარცე-პუმპე, ლაუხჰამერი, ვილჰელმ-პიკ-შტადტ-გუბენი, შვარცჰაიდე), კერამ. და მინის (ვაისვასერი) მრეწვ., ტრადიციულია საფეიქრო და ტრიკოტაჟის მრეწველობა (ვილჰელმ-პიკ-შტადტ-გუბენი, ფორსტი, კოტბუსი). მოჰყავთ მარცვლეული (ჭვავი, ხორბალი), კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, საკვები კულტურები, განვითარებულია მებოსტნეობა, სარძეო მესაქონლეობა, მეღორეობა. თევზის მეურნეობა.

კოტელნიკოვი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე [დ. 24. VIII (6. IX). 1908, ყაზანი], საბჭ. მეცნიერი რადიოტექნიკის დარგში, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1953), ორგზის სოციალ. შრომის გმირი (1969, 1978). სკკპ წევრი 1948-იდან. დაამთავრა მოსკ. ენერგეტ. ინ-ტი (1931). 1954-იდან სსრკ მეცნ. აკად. რადიოტექ. და ელექტრონიკის ინ-ტის დირექტორი, 1970-იდან სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. მისი მთავარი შრომები ეხება რადიომიღების მეთოდების სრულყოფის პრობლემებს, აგრეთვე პოტენციური დაბრკოლებამდგრადობის თეორიას. კ-ის ხელმძღვანელობით სსრკ-ში მიმდინარეობს მუშაობა მარსის, ვენერას, მერკურის რადიოლოკაციის დარგში. ამერ. ინჟინერთა ინ-ტის საპატიო წევრი (1964), ჩეხოსლ. მეცნ. აკად. უცხოელი წევრი (1965), პრაღის უმაღლესი ტექ. სასწავლებლის საპატიო დოქტორი (1967). სსრკ სახელმწ. პრემია (1943, 1946), ლენინური პრემია (1964). დაჯილდოებულია 5 ლენინის ორდენით, 2 სხვა ორდენით და მედლებით.

თხზ.: Основы радиотехники, ч. 1—2, М., 1950—54 (თანაავტ.: А. М. Николаев); Теория потенциальной помехоустойчивости, М.—Л., 1956.

კოტელნიკოვო, ქალაქი (1955-მდე დაბა) რსფსრ ვოლგოგრადის ოლქში. კოტელნიკოვოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური ვოლგოგრად—სალსკის ხაზზე. სას.-სამ. მანქანათსაშ., არმატურის, საკონსერვო, რძის, აგურის ქ-ნები. რკინიგზის ტრანსპ. საწარმოები.

კოტელნიჩი, ქალაქი რსფსრ კიროვის ოლქში, მდ. ვიატკის მარცხ. ნაპირზე. დიდი ნავმისადგომი, სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. კვების, ხის დასამუშ., სატრიკოტაჟო, სამკერვალო, ლითონდასამუშ. მრეწველობა. კოოპ. ტექნიკუმი, სამედ. სასწავლებელი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

თ. კოტანოვი.

კოტერა (Kotěra) იან (18. XII. 1871, ბრნო,—17. IV. 1923, პრაღა), ჩეხი არქიტექტორი. XX ს. ჩეხური არქიტექტურული სკოლის დამაარსებელი. სწავლობდა პლზენსა და ვენაში ო. *ვაგნერთან*. 1898-იდან ასწავლიდა პრაღის სამხატვრო-სახელოსნო სკოლაში. თავდაპირველად „*მოდერნის*" სტილის წარმომადგენელი იყო, 1906-იდან ფუნქციონალისტი. ძირითადი ნამუშევრები: ადმ. შენობა ქ. გრადეც-კრალოვეში (1903—04), სახ. სახლი პროსტეიოვში (1905—07), პრაღის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის შენობა (1907—20), ბანკი „სლავია" სარაევოში (1911—12) და სხვ.

ტ. კოტარბინსკი.

კოტერები (ინგლ., მხ. რ. cotter, ან cottar<გვიანდ. ლათ. cotarius—ფერმაში მცხოვრები მოჯამაგირე) ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხთა ფენა ინგლისში, შუა საუკუნეებში და ახ. დროის დამდეგს, რ-ებიც მიწის უმცირეს ნაკვეთებს ფლობდნენ. იხსენიებიან ჯერ კიდევ „*საშინელ სამსჯავროს წიგნში*" (1086). სოფლად კაპიტალიზმის შეჭრამ გამოიწვია კ-ის გადაქცევა სოფ. მეურნ. ან მანუფაქტურის დაქირაველად მუშებად.

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (24. X. 1893, სოფ. დიდი თონეთი, ახლანდ. თეთრი წყაროს რ-ნი, — 1937), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მოქანდაკე, ხელოვნებათმცოდნე. 1911 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1911 — 14 სწავლობდა პეტერბ. ფსიქო-ნევროლოგიური ინ-ტის პედ. ფაკ-ტზე, 1918 დაასრულა დერპტის (ტარტუს) უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი, პედ. მოღვაწეობა დაიწყო იქვე. 1919—26 მასწავლებლობდა თბილ. სკოლებში. 1926 მიიწვიეს თსუ-ში, სადაც კითხულობდა ჯერ ფოლკლორის, 1929-იდან — მისივე ინიციატივით შემოღებულ პოეტიკის კურსს. 1922—28 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში, ი. ნიკოლაძის ჯგუფში. აქვე 1928—იდან კითხულობდა ქანდაკების თეორიისა და ისტ. კურსს. 1918—28 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, გაზ. „ქართული სიტყვის" რედაქტორი, 1921—27 — საქ. სსრ ხელოვნ. მთავარი კომიტეტის წევრი, 1924—29— ქართვ. მხატვართა საზ-ბის თავ-რე, 1933-იდან საქართვ. მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

ვ. კოტელნიკოვი.

კ-ის პირველი ლიტ. წერილი „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დ. გურამიშვილის შემოქმედებაში" 1912 გაზ. „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა. 1918 ცალკე წიგნად გამოსცა შ. არაგვისპირელის შემოქმედების მიმოხილვა — „შავი წიგნი", 1921 — „უოლტ უიტმენი. პროლეტარიატის პოეტი", 1925 — „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი". კ-მა, ქართვ. საბჭ. მეცნიერთა შორის პირველმა, შექმნა XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტ. კურსი (ნაწ. I, 1925; ნაწ. II, 1925; ნაწ. III, 1927), რითაც დიდი ამაგი დასდო ახ. ქართ. ლიტ-რის მეცნ. შესწავლისა და მკვლევართა მთელი თაობების აღზრდის საქმეს. კ. დიდ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე მიმდინარე ლიტ. პროცესს, იყო ლიტ. დაჯგუფების „აკადემიური მწერლობის კავშირის" წევრი.

ვ. ი. კოტეტიშვილი.

კ. ქართ. საბჭ. ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში მეცნ. ფოლკლორულ ექსპედიციებს. 1932 სა-

ვლ. ი. კოტეტიშვილი.

კოტინგისებრნი: ა — ერთ-კორძიანი რეკია (Procnias alba); ბ — ნარინჯისფერი კლდის მამალი (Rupicola rupicola); გ — ამაზონის ქოლგოსანა (Cephalopterus ornatus); დ — სამკორძიანი რეკლია (Procnias tricarinculata).

ქართვ. მუზეუმთან ჩამოყალიბდა ფოლკლორის განყ-ბა, რ-იც დაედო საფუძველად 1936 თსუ-თან შექმნილი „ელხის", ამჟამად რუსთაველის სახ. ლიტ. ისტორიის ინ-ტის ფოლკლორის განყ-ბასა და არქივს. ჰ-ს ეკუთვნის წერილები „აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება", „სურამის ციხის ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორში", „ხალხური ამბავი ტარიელისა" და სხვ. 1934 გამოსცა „ხალხური პოეზიის" I ტომი, რ-ის წინასიტყვაობასა და ვრცელ კომენტარებში პირველად დაისვა ქართ. ფოლკლორისტიკის ბევრი კარდინალური საკითხი. ჰ-მა მიაკვლია ქართ. ფოლკლორის უძველეს მითოლ. ძირებს; დაათარიღა ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშები სოც.-ისტ. გარემოებათა გათვალისწინებით.

თხზ.: რჩეული ნაწერები ორ წიგნად, თბ., 1965—67; ქანდაკების ისტორია, თბ., 1963; ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს), თბ., 1959; ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961.

ლიტ.: გამეზარდაშვილი დ., ვახტანგ კოტეტიშვილი, თბ., 1969.

ე. ვირსალაძე.

კოტეტიშვილი ვახუშტი ვახტანგის ძე (დ. 4. VIII. 1935, თბილისი), ქართველი საბჭ. ლიტერატურათმცოდნე, ირანისტი, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1978). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1959). პირველი ლექსი 1954 გამოაქვეყნა, პირველი თარგმანები — 1958. სამეცნ. ნაშრომთაგან აღსანიშნავია „სპარსული კლასიკური რითმის სტრუქტურა", „ჰაფეზის პოეზიის ბუნების გაგებისათვის" და სხვ. ცალკე წიგნებად გამოიცა ჰ-ის თარგმანები: ომარ ხაიამის „რობაიათი" (1963), ჯამის „ლირიკა" (1966), ობეიდ ზაქანის პოემა „კატა და თაგვები" (1967), ჰაფეზის „ლირიკა" (1970). ქართ. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება ჰ-ის პოეტური თარგმანები (რუდაქის, ფირდოუსის, აბუ საიდის, ჯალალ ალ-დინ რუმის, საადის, ბაჰარის, რ. მ. რილკეს ლექსები) და ლიტ.-კრიტიკული წერილები. 1975 შეადგინა და წინასიტყვაობითა და კომენტარებით გამოსცა ვრცელი კრებ. „ირანული პოეზია". მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართ. ზეპირსიტყვიერების პოპულარიზაციაში.

ლ. ავალიანი.

კოტეტიშვილი ვლადიმერ (ლადო) ილიას ძე [22. XI (4. XII). 1895, სოფ. დიდი თონეთი (თეთრი წყაროს რ-ნი), — 18. II. 1940, თბილისი], ქართველი საბჭ. ექიმი, ნევროპათოლოგი, ქართ. მედ. ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი. 1919 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1922—24 მუშაობდა სოფლის ექიმად თელავის რ-ნში, 1924—32 — თბილ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, 1932—40 კი — სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფროს მეცნ. თანამშრომლად. ე. წ. სახ. მედიცინის დარგში. ჰ-მა ტექსტოლოგიურად დაამუშავა და გამოაქვეყნა ძვ. ქართ. სამედ. წერილობითი ძეგლები: *„წიგნი საქიმოჲ"* (1936), „იადიგარ დაუდი" (1938), „უსწორო კარაბადინი" (1940).

თხზ.: საექიმო იდეები „ვეფხისტყაოსანში", «საბჭოთა მედიცინა», 1937, № 11—12.

ლიტ.: ტატიშვილი ი., დიდი მოძღვარი, «ცისკარი», 1976, № 11.

მ. შენგელია.

კოტი, ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში, კ. სიკოკუს სამხრ. ნაწილში. კოტის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 269 ათ. მკხ. (1973). კვების (რძის ქ-ნა, საკეს წარმოება), მეტალურ., ლითონდასამუშ., ცემენტის მრეწვ., აბრაზიული მასალის, ქაღალდის, საფეიქრო ნაწარმის დამზადება, ხე-ტყის ხერხვა, გემთსაშენები. ხელოსნური წარმოება.

კოტი, პრეფექტურა იაპონიაში, კ. სიკოკუს სამხრ. ნაწილში. ფართ. 7,1 ათ. *კმ*², მოსახლ. 808 ათ. კაცი (1975). აქედან 50%-ზე მეტი ქალაქში ცხოვრობს. ადმ. ც. — ქ. კოტი.

ჰ. ქვეყნის ერთ-ერთი სუსტად განვითარებული აგრ. პრეფექტურაა. მთავარი კულტურაა ბრინჯი. განვითარებულია მებაღეობა და საკვალსათბურე მეურნეობა (კიტრი, წიწაკა). თევზჭერა. სპილენძისა და ქრომიტის საბადოების დამუშავება. მინა-კერამ., ქაღალდის მრეწვ., მანქანათმშენებლობა. მთავარი სამრეწვ. ცენტრია ქ. კოტი.

კოტიანეთი (ყოფ. კოტოიანი), სოფელი ცხაკაიას რ-ნში (ძველი სენაკის სოფსაბჭო), უნაგირას მთის სამხრ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. ნახურის (ტეხურის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 120 *მ*, ცხაკაიადან 12 *კმ*. მეევნახეობის საბჭ. მეურნეობა. დაწყ. და რვაწლ. სკოლები.

კოტილოზავრები (Cotylosauria), ყველაზე ძველი და პრიმიტიული ქვეწარმავლების ამომწყდარი ქვეკლასი; ცნობილი არიან შუა კარბონულიდან ტრიასულ პერიოდამდე. მათი სიგრძე 0,5—3 *მ* აღწევდა. ჰ-ს შენარჩუნებული ჰქონდათ ამფიბიებისაგან მემკვიდრეობით მიღებული მრავალი პრიმიტ. ნიშან-თვისება: საფეთქლის ღრმულებს მოკლებული ქალა, კარგად განვითარებული თხემის ხვრელი, სასის კბილები, ორმხრივ ჩაზნექილი მალები. ძალიან მოკლე კისრის განყ-ბა, კიდურებისა და მათი სარტყლების მოკლე და მასიური ძვლები და სხვ. ჰ-ის ნაშთები მრავლადაა ჩრდ. ამერიკასა და სამხრ. აფრიკაში, აგრეთვე სსრკ ევრ. ნაწილში, გეოლოგიაში ჰ-ის მიხედვით ადგენენ ამა თუ იმ დანალექი წყების გეოლოგ. ასაკს.



პერმული პერიოდის კოტილოზავრები: 1—ნიქტიფრურეტი (სსრკ, არხანგელსკის ოლქი); 2—ლიმნოსცელისი (აშშ); 3—სკუტოზავრი (სსრკ არხანგელსკის ოლქი).

კოტინგისებრნი (Cotingidae), ფრინველების ოჯახი *ბელურასნაირთა* რიგისა. ოჯახი შეიცავს 30 გვარის 90-მდე სახეობას. მათი სხეულის სიგრძე 10—50 *სმ* აღწევს. გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ამერ. ტროპ. ტყეებში. უმრავლესობას თავზე აქვს ნაირგვარი ფორმის ქოჩორი, თავზე ან ნისკარტის ძირში — ხორცოვანი კორძები და განსაკუთრებული ბუმბულის მოკაზმულობა. ჰ-ის ქვედა ხორხს განსაკუთრებული აგებულება აქვს — ზოგი ჰ. ფრინველებისათვის უჩვეულო ხმას გამოსცემს, რ-იც ზარის რეკვას, ღრიალს ან ზმუილს მოგვაგონებს. ბუდობენ ხის ფუღუროში, ზოგიერთი კლდეზე ამაგრებს ბუდეს. იკვებებიან მცენარეულობით, ხილით, კენკრით, ნაყოფით, მწერებით.

მ. კუტუბიძე.

კოტირება (<ფრანგ. coter—დანომვრა, მონიშვნა), უცხოეთის ვალუტის, ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) კურსის ან საქონლის ფასის განსაზღვრა ბირჟაზე. კაპიტალ. ქვეყნებში ჰ-ს ახორციელებს სასაქონლო, საფონდო ან სავალუტო ბირჟის სპეც. ორგანოები (ჰ-ის კომისიები); საბირჟო ბიულეტენებში ქვეყნდება ფასები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და უცხოეთის ვალუტის კურსი. საქონლის საბითუმო ჰ. ხდება იმ საქაღალდეთა საზ-ბების ფასიანი ქაღალდების განსაზღვრული რაოდენობისა, რ-ებიც კონტროლს უწევს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონ. რ-იმე დარგის წარმოებას. უცხ. ვალუტის კურსს ადგენს სახელმწ. სავალუტო ორგანო. ოფიც. სავალუტო კურსის გვერდით მოქმედებს „შავი" ბირჟის კურსიც. არსებობს უცხ. ვალუტის ჰ-ის ორი ძირითადი მეთოდი: პირდაპირი და არაპირდაპირი. უფრო გავრცელებულია პირდაპირი ჰ., რ-ის დროსაც უცხ. ვალუტის ერთეული ეროვნ. ვალუტით გამოიხატება. არაპირდაპირი ჰ. გულისხმობს ეროვნ. ვალუტის ერთეულის გამოხატვას უცხო. ვალუტით.

სსრკ-ში უცხ. ვალუტის პირდაპირ ჰ-ს ახორციელებს სსრკ სახბანკი (დადგენილი კურსი ქვეყნდება საკურსო ბიულეტენში ყოველთვიურად).

კოტის ალპები (ფრანგ. Alpes Cottiennes, იტალ. Cozie ან Cozzie), დას. ალპების ნაწილი საფრანგეთსა და იტალიაში, ლარშის (სამხრ.) და მონ-სენის (ჩრდ.) გადასასვლელებს შორის, სიგრძე დაახლ. 100 *კმ*, სიმაღლე 3841 *მ*-მდე (მთა მონტეჟიზო). უმთავრესად აგებულია კრისტ. ფიქლებით, გნაისებით, ქვიშაქვებით. კალთები ღრმადაა დანაწევრებული მდინარეთა ხეობებით. დაფარულია ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით. 2000—2200 *მ* სიმაღლეზე სუბალპური და ალპური მდელოებია, უფრო ზევით — მუდმივი თოვლი და პატარა მყინვარები. ჩრდ-ით კვეთს ტურინ—გრენობლის რკინიგზა.

კოტკა (Kotka), ქალაქი ფინეთში, გაშენებულია კუნძულებზე, მდ. კიუმი-ოიკის მახლობლად, ფინეთის ყურის ჩრდ. ნაპირთან, კიუმის ლიანის ადმ. ცენტრი. 62 ათ. მკხ. (1977). რკინიგზით უკავშირდება კონტინენტს. ქვეყნის მთავარი საექსპორტო ნავსადგური (გააქვთ უმთავრესად ხე-ტყე). ხე-ტყის ხერხვა, ცელულოზა-ქაღალდის, შაქრის, ქიმ. მრეწველობა, მანქანათმშენებლობა.

კოტლასი, ქალაქი (1917-იდან) რსფსრ არხანგელსკის ოლქში. ნავმისადგომი მდ. ჩრდ. დვინაზე. სარკინიგზო კვანძი. 63 ათ. მკხ. (1980). ჰ. გაშენდა 1898-ში. იგი ხე-ტყის გადასატვირთავი დიდი ბაზაა. განვითარებულია გემთსაშენი, ხის დასამუშ. და კვების მრეწველობა. არის გემთსარემონტო-საშენი, ხე-ტყის სახერხი ქ-ნები და წისქვილკომბინატი. სამდინარო, სამედ. და პედ. სასწავლებლები. ქალაქის მახლობლადაა ჰ-ის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი.

კოტლიარევსკი ივანე პეტრეს ძე [29. VIII (9. IX). 1769, პოლტავა, — 29. X. (10. XI). 1838, იქვე]. უკრაინელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ლიტ. ასპარეზზე გამოვიდა 90-იან წლებში. მის ბურლესკურ-ტრავესტულ პოემაში „ენეიდა" (ნაწ. 1—3, 1798, სრული ტექსტი, ნაწ. 1—6, 1842) რეალისტურად არის ასახული უკრ. საზ-ბის სხვადასხვა ფენის ცხოვრება. ავტორია პიესებისა „პოლტაველი ნატალკა" და „ჯადოქარი ჯარისკაცი". ჰ-მ დიდი ამაგი დასდო ახ. უკრ. ლიტ-რისა და ახ. სალიტ. ენის განვითარებას.

ჰ-ს პიესები XIX ს, I ნახევარში ქართვ. საზ-ბის წინაშე წარმოადგინეს უკრ. დასებმა, საქართვ. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში მაღალი შეფასება მისცეს ჰ-ს ხელოვნებას.

ლიტ.: ბაქანიძე ო., უკრაინული თეატრი თბილისში, თბ., 1967.

ო. ბაქანიძე.

კოტლიარევსკი პეტრე სტეფანეს ძე [12 (23). VI. 1782, სოფ. ოლხოვატკა, კუპიანსკის მაზრა, ხარკოვის გუბ., — 21. X (2. XI). 1852, ფეოდოსიის ახლოს], რუსი ინფანტერიის გენერალი (1826). დაიბადა მღვდლის ოჯახში. 1799 მიიღო ოფიცრობა. დაწინაურდა რუს.-ირან. ომის (1804—13) დროს, გამოირჩეოდა დიდი სიმამაცი-

ცით და გაბედულებით. 1810 მცირე რაზმით ხელში ჩაიგდო ციხესიმაგრე მიგრი, გაუძლო ალყას, ხოლო შემდეგ დაამარცხა ირან. ჯარები მდ. არაქსთან. 1812 წ. 19–20 ოქტ. დაამარცხა აბას-მირზას ჭარბი ძალები ასლანდუზთან, ხოლო 1813 წ. 1 იანვ. 2-ათასიანი რაზმით შტურმით აიღო ლენქორანი, რამაც გადაწყვიტა ომის ბედი. მძიმედ დაიჭრა და სამსახურიდან გადადგა.

კოტოვო, ქალაქი (1966-მდე დაბა) რსფსრ ვოლგოგრადის ოლქში. კოტოვოს რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგ. ლაფშინსკაიიდან 16 *კმ*. აირგადასამუშ., რკინაბეტონის ნაკეთობათა, საბურღი ტექ. საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საცდელი და ზეთის ქ-ნები. პ ს რ-ნში არის ნავთობის და აირის საბადოები.

კოტოვსკი გრიგოლ ივანეს ძე [12 (24). VI. 1881, განჩეშტი, ახლანდ. ქ. კოტოვსკი, მოლდ. სსრ, – 6. VIII. 1925], სამოქალაქო ომის გმირი. სკკპ წევრი 1920-იდან. მოჯამაგირეთა დაცვისათვის 1902 და 1903 დაპატიმრებული იყო. 1905 გაიწვიეს არმიაში, მაგრამ გაიქცა და 1905 ნოემბ. აჯანყებული მოლდაველი გლეხებისაგან რაზმი ჩამოაყალიბა. მრავალგზის დაპატიმრებისა და გაქცევის შემდეგ 1907 წ. 12 წლით კატორღა მიუსაჯეს. 1913 კატორღიდან გაიქცა და 1915 დასაწყისში სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ გლეხთა რაზმს ბესარაბიაში. 1916 მიესაჯა სიკვდილი, რაც შემდეგ მუდმივი კატორღით შეუცვალეს. 1917 მაისში თავდებით გაათავისუფლეს და რუმინ. ფრონტზე გაგზავნეს; იყო პოლკისა და არმიის კომიტეტის წევრი. 1917 ნოემბ. მიემხრო მემარცხენე ესერებს. 1918 იანვ.-მარტში მეთაურობდა ტირასპოლის რაზმს, 1919 იელ-იდან –45-ე მსროლელ დივიზიის ბრიგადას, ი. იაკირის ჯგუფში ყოფნის დროს მოაწყო გმირული ლაშქრობა დნესტრიდან ჟიტომირამდე. 1919 მონაწილეობდა პეტროგრ. დაცვაში. 1920 იანვრიდან მეთაურობდა კავალერიის ბრიგადას სამხრეთში, უკრაინაში და საბჭ. კავშირ-პოლ. ფრონტზე. 1920 დეკ-იდან იყო მე-17 კავალერიის დივიზიის მეთაური. 1921 მახნოველობის, ანტონოველობისა და პეტლიურელობის ლიკვიდაციის დროს, მეთაურობდა კავ. ნაწილებს, 1921 სექტ-იდან – მე-9 კავალერიის დივიზიას, 1922 ოქტ-იდან – მე-2 კავალერიის კორპუსს. დაჯილდოებულია 3 წითელი დროშის ორდენით და საპატიო რევ. იარაღით, დასაფლავებულია ბირზულაში (ახლანდ. კოტოვსკი, ოდესის ოლქი).

კოტოვსკი (1935-მდე – ბ ი რ ზ უ ლ ა), ქალაქი უკრ. სსრ ოდესის ოლქში. კოტოვსკის რ-ნის ცენტრი. რკინიგზის სადგური უმერინკა–ოდესის ხაზზე. კვების, მსუბუქი მრეწვ. და რკინიგზის ტრანსპორტის მომსახურე საწარმოები. სამედ., სას.-სამ., პროფ.-ტექ. სასწავლებლები. გ. *კოტოვსკის* ისტ.-მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ქ. დაარსდა XIX ს. დასაწყისში.

კოტოვსკი (1940-მდე ქ. ტამბოვის შემადგენლობაში), ქალაქი რსფსრ ტამბოვის ოლქში, მდ. ცნის მარჯვ. ნაპირზე. ქ-ნა „ალმასი", პლასტმასების, ლაქ-საღებავების, საშენ მასალათა, რკინაბეტონის ნაკეთობათა ქ-ნები, ხელოვნური ტყავის, მაკარონის ფ-კები. თეკი. ინდუსტრ. ტექნიკუმი. სახელი ეწოდა გ. *კოტოვსკის* პატივსაცემად.

კოტოიუ დენძირო (ლიტ. ფსევდ. – ს ი უ ს უ ი) (23. IX. 1871, ნაკამურა, პატის მაზრა, პრეფექტურა კოტი, –24. I. 1911), იაპონიის სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე, პუბლიცისტი. 1901 ს. *კატაიამასთან* ერთად მონაწილეობდა იაპონიაში პირველი ს.-დ. პარტიის (სიაკაი მინსიუტო) შექმნაში. ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა იაპ. ენაზე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებები. დაწერა წიგნი „სოციალიზმის არსი" (1903), რ-შიც შეეცადა თანამიმდევრულად გადმოეცა მარქსისტული მოძღვრება. 1905–06 ემიგრაციაში იყო აშშ-ში, სადაც განიცადა „მსოფლიოს ინდუსტრიულ მუშათა" ორგანიზაციის ანარქისტ-სინდიკალისტ მოღვაწეთა გავლენა. იაპონიაში დაბრუნების შემდეგ კ. გამოდიოდა რეფორმიზის წინააღმდეგ იაპ. სოციალ. მოძრაობაში, მაგრამ დაუშვა ანარქისტ-სინდიკალისტური შეცდომები. კ-ს ცილი დასწამეს იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადებაში, დაპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს.

კოტონი (Cotton) ეჟენი (13. X. 1881, სუბიზი, ზღვისპირეთის შარანტის დეპარტ., – 16. VI. 1967, სევრი), საფრანგეთის და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწე. მეცნიერი ფიზიკოსი (მ. სკლადოვსკა-კიურის და პ. კიურის მოწაფე და თანამშრომელი). 1925 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მყარ მდგომარეობაში მყოფი მარილების მაგნიტურ თვისებებზე. 1936–41 სევრის ქალთა პედ. ინ-ტის „ეკოლ ნორმალის" დირექტორი, ხოლო 1945-იდან სიცოცხლის ბოლომდე მისი საპატიო დირექტორი. 1934 მეენ. მოღვაწეობაში წარმატებებისათვის დაჯილდოვეს საპატიო ლეგიონის ორდენით. ფაშისტური გერმ. მიერ საფრ. ოკუპაციის დროს (1940–44) იყო წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე. 1945 აირჩიეს საფრ. ქალთა კავშირის თავრედ. იყო ქალთა საერთაშ. დემოკრ. ფედერაციის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და პრეზიდენტი დაარსების (1945) დღიდან; 1950-იდან მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავრე, 1959-იდან – პრეზიდიუმის წევრი. არის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშ. ლენინური პრემიის ლაურეატი (1951).

კოტონუ (Cotonou), ქალაქი და ნავსადგური ბენინში, გვინეის ყურის ნაპირზე. 178 ათ. მცხ. (1975). რკინიგზის სადგური. გააქვთ პალმის კაკალი და ზეთი, კოპრი, ყავა, ბამბა, აწარმოებენ ლუდს, ზეთს, საპონს. განვითარებულია ხე-ტყის ხერხვა. შინამრეწველური წარმოება (ხეზე კვეთა, კალათების წვნა და სხვ.).

კოტოპაქი (Cotopaxi), მოქმედი ვულკანი ანდებში, სამხრ. ამერიკაში (ეკვადორი), ქ. კიტოს სამხრ-ით 50 *კმ*-ზე. სიმაღლე 5897 *მ*. მდებარეობს აღმ. კორდილიერის დან. მთისძირში. კრატერის სიდიდეა 550×800 *მ*, სიღრმე 450 *მ*. 4700 *მ* ზევით დაფარულია მუდმივი თოვლით. უკანასკნელი ძლიერი ამოფრქვევა 1942 მოხდა.

კოტორაანთკარი, სოფელი მცხეთის რ-ნში (გალავნის სოფსაბჭო), მდ. თეზმის ხეობაში. ზ. დ. 820 *მ*, მცხეთიდან 21 *კმ*. გალავნის ექსპერ. მეურნეობა (მევენახეობა, მეხილეობა). საშ. სკოლა სოფ. გალავანში (3 *კმ*).

კოტორი (Kotor), ქალაქი და ნავსადგური იუგოსლავიაში, ჩერნოგორიის სრ-ში, კოტორის უბის (ადრიატიკის ზღვა) სიღრმეში. 9 ათ. მცხ. (1971), ქ-ში არის საკისრების, თევზსაკონსერვო და სხვა საწარმოები; თეატრი, საზღვაოსნო სკოლა, ისტ. არქივი. საზღვაო მუზეუმი. ქ. კურორტია, ტურიზმის ცენტრი.

წყაროებში პირველად VII ს-ში იხსენიება. XII ს. ბოლომდე იყო ბიზანტ. დასაყრდენი პუნქტი საშხრ. დალმაციაში. 1186–1371 სერბიის სახელმწ. ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. 1371–1420 – დამოუკიდებელი პატრიციული რესპუბლიკა. 1420–1797 ვენეციას ემორჩილებოდა, 1797–1806 და 1814–1918 – ავსტრიის ჰაბსბურგებს (1809–13 შედიოდა *ილირიის პროვინციების* შემადგენლობაში). აქ მოხდა *კოტორის აჯანყება 1918*. 1941–44 ოკუპირებული იყო იტალ.-გერმ. ფაშისტური ჯარების მიერ.

ქ-ის ძვ. ნაწილი შემოზღუდულია ქვის კედლებით (XV–XVIII სს.). შემონახულია ქალაქის კარი (XVI ს.). აღსანიშნავია რომანული სტილის ნაგებობანი– წმ. ტრიპუნის ტაძარი (XII ს. დასაწყისი–XIV ს., ნაწილობრივ გადააკეთეს XVII–XVIII სს-ში). ეკლესიები (წმ. მიხოვილის, XII ს. შუა წლები – XIV ს., ინტერიერში XIV ს. ფრესკები), გოთიკური, რენესანსული და ბაროკოს სტილის სასახლეები (ბუჩა, XV ს., ბისანტი, XV–XVII სს., გრგურინა, ახლა საზღვაო მუზეუმი, XVIII ს.).

კოტორის აჯანყება 1918, კატარის აჯანყება, ავსტრია-უნგრეთის ფლოტის მეზღვაურთა რევოლუციური აჯანყება კოტორში (1918 წ. 1–3 თებ.). დაიწყო კრეისერ „სანკტ-გეორგზე". დიდი ოქტ. სოციალ. რევოლუციით შთაგონებულმა მეზღვაურებმა კრეისერზე წითელი დროშა აღმართეს. მათ მიემხრო 40 გემის ეკიპაჟი (დაახლ. 6 ათ. ხორვატი, სლოვენი, ჩეხი, უნგრ. მეზღვაური) და ნავსადგურის მუშები. გემებზე შეიქმნა რევ. კომიტეტები. აჯანყებულები მოითხოვდნენ ზავის დაუყოვნებლივ დადებას საბჭ. რუსეთის წინადადებათა საფუძველზე და ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას. ავსტრია-უნგრ. სარდლობამ ჩაახშო აჯანყება. დაახლ. 800 კაცი დააპატიმრეს, ხელმძღვანელები დახვრიტეს.

კოტოშეხი სამედიცინო, ფართოპირიანი და მრგვალძირიანი პატარა, 3–7 *სმ*³ მოცულობის მინის ჭიქები. კანზე დადებისას ქ. იზიდავს კანს და იწვევს მის სისქეში სისხლის შეგუბებასა და სისხლჩაქცევას, რაც ხელს უწყობს ქვეშმდებარე ქსოვილებსა და ორგანოებში ანთებითი პროდუქტების შეწოვას. ჰაერის გასაიშვიათებლად, იმისათვის, რომ ქ. მჭიდროდ მიეკრას კანს, ქ-ს სწრაფად გამოუსვამენ ჯოხზე დახვეულ, სპირტში ან ეთერში დასველებულ ალმოდებულ ბამბას და ადებენ კანზე. ქ. ენიშნებათ ანთებითი პროცესების (ფილტვებში, ბრონქებში, პლევრაში), ფილტვებში სისხლის შეგუბების, ნევრალგიის, მიოზიტისა და სხვ. დაავადებათა დროს.

კოტრანა (Crambe). ერთწლოვან ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა ვვარი ჯვვაროსანთა ოჯახისა, ცნობილია 20–25 სახეობა. გავრცელებულია ევრაზიასა და აფრიკაში. სსრკ-ში; ბალტიისპირეთში, ევრ. ნაწილის სამხრ-ში, კავკასიასა და შუა აზიაში 18–20 სახეობაა, კერძოდ, საქართველოში–3. ქ. იზრდება ველებსა და ნახეტრად უდაბნოებში, შშრალი მთის კალთებსა და ჩამონაზვავებზე, კლდეებსა და ზღვისპირა ქვიშაზე. ზ ღ ვ ი ს პ ი რ უ ლ ი ქ. ანუ ზ ღ ვ ი ს კ ო მ ბ ო ს ტ ო (C. maritima) საკმაოდ გავრცელებული სახეობაა; მის გაზაფხულის ფოთლის ყუნწებს ხმალად ხმარობენ, ზოგჯერ მოჰყავთ კიდეც როგორც ბოსტნეული.

კოტსის მიწა (Coats Land), ანტარქტიდის ტერიტორიის ნაწილი დ. გ. 20° და 37°-ს შორის. აღმ-ით ესაზღვრება დედოფალ მოდის მიწას, დას-ით გადადის ფილჩნერის შელფურ მყინვარში. ქ. 8-ის ზედაპირი თითქმის მთლიანად დაფარულია 1000–2000 *მ* სისქის კონტინენტური მყინვარით. აღმოაჩინა შოტ. ექსპედიციამ 1904. სახელი ეწოდა შოტ. მეწარმის პატივსაცემად, რ-მაც ექსპედიცია დააფინანსა.

კოტუი, მდინარე რსფსრ კრასნოიარსკის მხარის ევენკთა და ტაიმირის (დოლგანენთა) ავტონ. ოკრუგებში. მდ. ხატანგის მარჯვ. შემადგენელი. სიგრძე 1409 *კმ*, აუზის ფართ. 176 ათ. *კმ*². სათავე აქვს პუტორანის პლატოზე. მიედინება შუა ციმბირის ზეგანზე, ქვემოთში – ჩრდ. ციმბირის დაბლობზე. ჭორომიანია. შერეული საზრდოობის მდინარეა, ჭარბობს თოვლის წყალი. იყინება სექტ. ბოლოს და ოქტ. I ნახევარში. ყინულძვრაა მაისის ბოლოსა და ივნისში.

კოუეი (Cope) ედუარდ დრინკერ (28. VII. 1840, ფილადელფია, – 12. IV. 1897, იქვე), ამერიკელი პალეონტოლოგი და

ი. კოტლიარევსკი.

გ. კოტოვსკი.

ე. კოტონი.

კოტორი. წმ. ტრიპუნის ტაძარი. XII ს. დასაწყისი XVIII ს.

ჩვეულებრივი კოფრჩხილა: ა—ყვავილი; ბ—ნაყოფი.

ზოოლოგი, აშშ ნაციონალური მეცნ. აკად. წევრი (1872). პენსილვანიის უნ-ტის პროფესორი (1886-იდან), ამერ. ნატურალისტთა საზ-ბის პრეზიდენტი (1895-იდან). მისი ძირითადი შრომები ეხება ჩრდ. ამერ. ცარცული და კაინოზოური პერიოდის დანალექების ნამარხ ხერხემლიანებს. აღწერა 1000-მდე ახ. სახეობა. გამოყო სტეგოცეფალების რიგი. მოგვცა თანამედროვე და ნამარხი თევზების ახ. კლასიფიკაცია. *ნეოლამარკიზმის* ერთ-ერთი ფუძემდებელია ამერ. პალეონტოლოგიაში. ორგანიზმების განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა „ენერგიის განსაკუთრებულ სახეს", „ზრდის ძალას" ანუ ბათმიზმს.

კოფეინი, ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელი სამკურნალო პრეპარატი; ტრიმეთილქსანტინი — ალკალოიდი, რ-იც შედის ჩაის ფოთლის, ყავის მარცვლის, ხეკოლის კაკლის შემადგენლობაში; იღებენ სინთეზურადაც. იყენებენ ტაბლეტების სახით ცენტრ. ნერვული სისტემის დათრგუნვის, გულის მოქმედების შესუსტების, ნარკოტიკებით მოწამვლის, ჰიპოტონიის, შაკიკისა და სხვ. დროს. კანქვეშ შეჰყავთ კ-ის ხსნარი — ნატრიუმბენზონატი, რ-იც 38% სუფთა კ-ს შეიცავს.

კოფერმენტები [ლათ. co (cum) — ერთად და *ფერმენტები*], არაცილოვანი ბუნების ორგანული ნაერთები, რ-ებიც ფერმენტულ რეაქციებში გვხვდება ცალკეული ატომისა ან ატომთა ჯგუფის აქცეპტორებად. კ. ფერმენტის ცილოვან ნაწილთან — აპოფერმენტთან — დაკავშირებულია არამტკიცე ბმით და ადვილად წყდება მჟავებისა და ტუტეების მოქმედებით, რასაც მოყვება არააქტიური კომპონენტების წარმოქმნა. კატალიზურ პროცესებში კ. შეუქცევად ქიმ. გარდაქმნებს არ განიცდის და მეუძლია მრავალჯერ მიიღოს მონაწილეობა ფერმენტულ რეაქციებში. კ-ის უმრავლესობა ვიტამინების ნაწარმია ან შეიცავს მათ კომპონენტების სახით. ცხოველურ და მცენარეულ ქსოვილებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული კ-ია ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდი, ნიკოტინამიდადენინდინუკლეოტიდფოსფატი, *კოფერმენტი* A, ნუკლეოზიდდიფოსფატები (იხ. აგრეთვე *ადენოზინფოსფორის მჟავები*).

დ. ჯოხაძე.

კოფერმენტი A, კოენზიმი A, KoA, აცეტილირების (აცილირების) კოფერმენტი; მონაწილეობს აცეტილის ჯგუფების გადატანის რეაქციებში. KoA-ს მოლეკულა შედგება ადენილის მჟავას ნარჩენისაგან, რ-იც პიროფოსფატის ჯგუფით დაკავშირებულია პანტოთენის მჟავას (B ჯგუფის ვიტამინია) ნარჩენთან. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, პეპტიდური ბმით შეერთებულია β-მერკაპტოეთანოლამინთან.

KoA მონაწილეობს მრავალ ბიოქიმ. რეაქციაში, როგორიცაა ცხიმოვანი მჟავების დაჟანგვა და სინთეზი, ლიპიდების ბიოსინთეზი, ნახშირწყლების დაშლის პროდუქტების ჟანგვითი გარდაქმნა და ა. შ. ყველა შემთხვევაში KoA მოქმედებს როგორც შუალედი ნაერთი, რ-იც მჟავურ ნარჩენებს იერთებს და სხვა ნივთიერებებზე გადააქვს. ორგ. მჟავების „აქტიური" ფორმებია KoA-ს სულფჰიდრილურ ჯგუფთან მაკროერგული აცეტილთიოეთერული კავშირით მიერთებული აცილური ნარჩენები. KoA მიიღეს სინთეზურადაც.

დ. ჯოხაძე

კოფორიდუა (Koforidua), ქალაქი სამხრ.-აღმ. განაში, აკრა—კუმასის რკინიგზის ხაზზე. აღმ. ოლქის ადმ.-სავაჭრო ცენტრი. 69,8 ათ. მცხ. (1970). ვაჭრობენ კაკაოთი. აწარმოებენ პალმის ზეთს, ხილის წვენს.

კოფრჩხილა (Falcaria), მრავალ-, ორ-ან ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა. 4—5 სახეობა გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ სარტყელში და ჩრდ. აფრიკაში. სსრკ-ში 2—3 სახეობაა, საქართველოში მხოლოდ 1 — ჩვეულებრივი კ. (F. vulgaris); 20—60 *სმ* სიმაღლის ორწლოვანი ბალახია. გვხვდება მშრალ მდელოზე, ქვიან ფერდობზე, ტყის პირზე, ველზე, გზის პირზე. ნათესების (ძირითადად საგაზაფხულო კულტურების) სარეველაა; იზრდება სსრკ მთელ ევრ. ნაწილში, კავკასიასა (შუა სარტყლამდე) და შუა აზიაში. ნორჩ ფოთლებს ხარშავენ და საკაზმად ან მხალად იყენებენ, ამწნილებენ.

კოფუ, ქალაქი იაპონიაში, კ. ჰონსიუს ცენტრ. ნაწილში. იამანასის პრეფექტურის ადმ. ცენტრი. 194 ათ. მცხ. (1974). დიდი სატრანსპ. კვანძი. სას.-სამ. რ-ნის (მეაბრეშუმეობა, მეხაქონლეობა, მევენახეობა) ცენტრი. აბრეშუმის, ქიმ. მრეწველობა. საიუველირო ნაკეთობათა შინამრეწველური დამზადება. კ. ცნობილი კურორტია (ცხელი წყაროები).

კოქსავ, ბუნებრივი საწვავის (უმთავრესად ქვანახშირის) ქიმ. გადამუშავების მეთოდი, 950—1050°C-მდე გახურების გზით ჰაერის შეუღწევლად. კ. პირველად XVIII ს-ში დაიწყეს. პირველი ბრმმედული დნობა *კოქსის* გამოყენებით ჩაატარეს დიდ ბრიტანეთში (1735). XX ს. დასაწყისისათვის კ-ის პროცესს თანამედროვე სახე მიეცა, შემდგომში მხოლოდ მისი გაუმჯობესება ხდებოდა.

ქვანახშირის კ. რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს. 250°C-მდე გახურებისას ქვანახშირი კარგავს სინესტეს და გამოიყოფა დაშლის პროდუქტები CO და CO_2. ამის შემდეგ (300°C-ზე) მცირე რაოდენობით გამოიყოფა მსუბუქი ფისი და ქვანახშირის შედგენილობაში მყოფი ე. წ. პიროგენული ნესტი. დაახლ. 350—400°C-ზე ქვანახშირი რბილდება და პლასტ. მდგომარეობაში გადადის. ნალღობში მიმდინარეობს ქვანახშირის ინტენს. დაშლა ე. წ. პირველადი პროდუქტების (პირველადი აირისა და პირველადი კუპრის) გამოყოფით. ქვანახშირის დაშლის შედეგად დარჩენილი მძიმე ნახშირბადოვანი შენაერთების შეცხობისას დაახლ. 500°C-ზე წარმოიქმნება *მყარი* ფოროვანი პროდუქტი— ნახევრად კოქსი, რ-იც შემდგომი გახურებისას კარგავს დარჩენილ აქროლად ნივთიერებებს. 700°C-ზე ზევით კი მთლიანად გარდაიქმნება კოქსად. დაშლის პირველადი პროდუქტები კოქსთან, ღუმლის გახურებულ კედლებთან და ჭერთან შეხებისას განიცდის პიროლიზს და გარდაიქმნება მეორად პროდუქტებად. აირი მდიდრდება H_2 (55—60% მოცულობით) და CH_4 (20—30% მოცულობით), ხდება ორგ. პროდუქტების არომატიზაცია. მეორად პროდუქტებს, როგორც ძვირფას ნედლეულს, იყენებენ ქიმ. მრეწველობაში (იხ. *კოქსქიმია*).

საკოქსავ ღუმელში კ. მიმდინარეობს ფენებად. ფენების ტემპ-რა ეცემა ღუმლის გახურებული (1000°C-ზე მაღლა) კედლებიდან ჩატვირთვის შუა ადგილისაკენ. ამის შესაბამისად ფენების შედგენილობაც იცვლება კედლიდან ცენტრამდე შემდეგი თანამიმდევრობით: კოქსი — ნახევრად კოქსი — ნახშირი პლასტ. მდგომარეობაში— მშრალი ნახშირი — ნედლი ნახშირი.

მუშავდება კ-ის პრინციპულად ახ. მეთოდები, რ-ებიც ემყარება პლასტ. მდგომარეობაში გადაყვანილი ნახშირისაგან ნაკადური წესით ბრიკეტების ფორმირებასა და მათ შემდგომ გახურებას.

ლიტ.: Справочник коксохимика, т. 2, М., 1965; Сысков К. И., Королев Ю. Г., Коксохимическое производство, М., 1969.

კოქსი (გერმ. Koks<ინგლ. coke), მყარი ხელოვნური საწვავი; მიიღება სხვადასხვა ბუნებრივი საწვავის ან მათი გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების გახურებისას მაღალ ტემპ-რაზე (950—1050°C) ჰაერის შეუღწევლად. განარჩევენ ქანახშირის, ელექტროდულ სქელფისოვან და ნავთობის კ-ს. კ-ს ძირითადად აწარმოებენ ქვანახშირიდან.

ქვანახშირის კ-ს იყენებენ ძირითადად ბრძმედულ პროცესში თუჯის გამოდნობისას (ბრძმედის კ.). კ. აქ ერთდროულად საწვავი და რკინის მადნის აღმდგენელია. გაცილებით მცირე რაოდენობით კ-ს იყენებენ სამსხმელო წარმოებაშ, (სამსხმელო კ.), მადნების აგლომერაციისათვის, ქიმ. მრეწველობაში, ფერად მეტალურგიაში და სხვ.

ქვანახშირის კ-ის წარმოება დაიწყეს XVIII ს-ში, როცა საჭირო გახდა ბრძმედული ღუმელებისათვის საჭირო დეფიციტური ხის ნახშირის შეცვლა.

ქვანახშირის კ. წარმოადგენს რუხი ფერის მყარ ნატეხებს; კ-ის ჭეშმარიტი ფარდობითი სიმკვრივეა 1,80 ÷ 1,95, მიჩვენებითი (ფორების ჩათვლით) — 0,8÷1,0, ფორიანობა — საშუალოდ ≈ 50%, წვის სითბო — დაახლ. 29 *მეგჯ/კგ* (დაახლ. 7000 *კკალ/კგ*).

ელექტროდული სქელფისოვანი ნავთობის კ-თვის დამახასიათებელია ქვანახშირის კ-თან შედარებით დაბალი (არა უმეტეს 0,3%) ნაცრიანობა (ნავთობის კ-თვის 0,8%-მდე). ელექტროდულ სქელფისოვან კ-ს ღებულობენ მაღალლღობადი ქვანახშირის სქელფისის კოქსვით კამერულ დინასურ ღუმელებში; ნავთობის კ-ს კი — ნავთობის თხევადი ნარჩენისა და სქელფისების კოქსვით ღეითონურ საკოქსავ კუბებში ან სპეც. ღუმელებში. ნავთობის კ. მიიღება აგრეთვე ნავთობპროდუქტების პიროლიზისა და კრეკინგის დროსაც.

ლიტ.: Гофтман М. В., Прикладная химия твердого топлива, М., 1963.

კოქსის აირი, საწვავი აირი, კოქსვის ერთ-ერთი პროდუქტი. კ. ა-ის შედგენილობაა (მოცულობითი %-ში): H_2 (55—60), CH_4 (20—30), CO (5—7), CO_2 (2—3), N_2 (4), უჯერი ნახშირწყალბადები (2—3), O_2 (0,4—0,8). კ. ა-ის აალების ტემპრაა 600 — 650°C. კ. ა. საწამლავი და აფეთქებასაფრთხიანია. კ. ა-ს იყენებენ საწვავად, ამიაკის წარმოებაში და სხვ.

კოქსიტი (<ლათ. coxa — თეძო), მენჯბარძაყის სახსრის ანთება. განარჩევენ ტუბერკულოზურ და არატუბერკულოზურ კ-ს. ტუბერკულოზური კ. ჩვეულებრივ უვითარდებათ 5—10 წლის ბავშვებს პირველადი კერიდან (უფრო ფილტვებიდან) ტუბერკულოზის გამომწვევის მოხვედრის შედეგად. კ-ის გაჩენას ხელს უწყობს ტრავმა. დაავადება იწყება თანდათანობით, ტუბერკულოზური ინტოქსიკაციისათვის დამახასიათებელი მოვლენებით. შემდეგ ავადმყოფი იწყებს კოჭლობას, აწუხებს მუხლის სახსრის ტკივილი, რაც ნელ-ნელა მენჯ-ბარძაყის სახსარში გადაინაცვლებს, მოძრაობა იზღუდება, ჩნდება კუნთების კონტრაქტურები; ქვემო კიდური მოიზიდება და შიგნით შეტრიალდება, მისი კუნთები თანდათან განილევა. ძვლების სასახსრე ბოლოების რღვევის შედეგად კიდური მოკლდება. დაავადებულ ადგილზე მენჯი ზევით იწევს და წინისაკენ იხრება, ხერხემალი მრუდდება (*სკოლიოზი*), წელის მიდამოში წინ გამოიდრიკება (*ლორდოზი*), სახსრის ჩანთა ივსება ჩირქით, რ-იც კუნთთაშორისი ნაპრალებით ქვემოთ ჩამოედინება და თეძოზე, უფრო იშვიათად დუნდულების მიდამოში, ვითარდება ნაწვეთი (ცივი) აბსცესი. თეძოს, ბარძაყის თავისა და ტაბუხის ბუდის ვრცელი დაზიანების დროს ხშირია პათოლ. ღრძობა.

მკურნალობა — ზოგადგამაჯანსაღებელი და ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საშუალებანი; ორთოპედიული ღონისძიებანი (თაბაშირის ნახევი, დაჭიმვა, ტუტორის ტარება და სხვ.); უშედეგო კონსერვატული მკურნალობის დროს სახსრის უძრაობისათვის და მდებარეობის გასაუმჯობესებლად — ქირურგ. ოპერაცია

(ართროდეზი, ოსტეოტომია, ზოგჯერ — ართროპლასტიკა); კურორტული მკურნალობა (ევპატორია, გელენჯიკი, ანაპა და სხვ.).

ა რ ა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ო ზ უ რ ი ჰ. ვითარდება, როდესაც ინფექცია მიმდებარე ქსოვილებიდან სახსარზე გადადის, აგრეთვე სახსრის დაზიანებისა და ზოგადი ინფექციური დაავადებების დროს. იწყება და მიმდინარეობს მწვავედ, მაღალი სიცხით და ძლიერი ტკივილით.

მ კ ურ ნ ა ლ ო ბ ა: სიმშვიდე (თაბაშირის ნახვევი, დაჭიმვა), ანტიბიოტიკები, შემდეგ — ოპერაცია, სახსრის გაკვეთა ან ნაწილობრივი ამოკვეთა.

კოქსქიმია, ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის დარგი, რ-იც შეისწავლის ბუნებრივი სათბობის (უმთავრესად ქვანახშირის) გარდაქმნას *კოქსის* საშუალებით *კოქსად* და სხვა ძვირფას პროდუქტებად. ძირითადი კოქსქიმ. წარმოების პროდუქტებია (კოქსის გარდა): *კოქსის აირი*, ნედლი बენზოლის, ქვანახშირის ფისის და ამიაკის წყლის გადამუშავების პროდუქტები.

კოქსვას ატარებენ მაღალი წარმადობის *საკოქსავ ღუმლებში*. კოქსვისათვის საჭირო ნედლეულია ქვანახშირის სპეც. სახეობანი, რ-თაც შეცხობის უნარი აქვთ. ვინაიდან ასეთი სახეობანი დეფიციტურია, კოქსვის წინ ამზადებენ სხვადასხვა სახის ნახშირის ნარევს (კაზმს). კაზმს შეიძლება შეერიოს ისეთი ნახშირიც, რ-იც თავისთავად კოქსვას არ განიცდის. კაზმის ძირითადი თვისებაა — გახურებისას წარმოქმნას საჭირო სისქის, სიბლანტის და თერმული მახასიათებლების მქონე პლასტ. ფენა; ეს თვისებები განსაზღვრავს კაზმის კოქსვის უნარს.

კოქსვის დროს წარმოქმნილი ნედლი აირი შეიცავს (g/θ^3-ში): 250—450 წყლის ორთქლს, 100—120 ფისის ორთქლს, 30—40 बენზოლის რიგის ნახშირწყალბადებს, 8—13 ამიაკს, 5—30 გოგირდწყალბადს. გახურებულ (800°C) აირს გააცივებენ, ხოლო კონდენსატს დაყოფენ ქვანახშირის ფისად და ამიაკურ წყლად. გაცივებული აირი შეიწოვება დამჭერ და გამწმენდ სისტემაში, სადაც იჭერენ ნედლი बेनზოლის ორთქლს; ამიაკის დიდ ნაწილს, გოგირდწყალბადსა და ციანნაერთებს. ნედლ बेनზოლს, ქვანახშირის ფისსა და ამიაკურ წყალს გადაამუშავებენ საჭირო პროდუქტებად. გაწმენდილ კოქსის აირს იყენებენ როგორც საწვავს და ძირითად ნედლეულს ამიაკის სინთეზისათვის, გოგირდწყალბადს — გოგირდის ან გოგიდმჟავას მისაღებად, ციანნაერთებს—როდანიდწყალბადმჟავას მარილების ან სხვა პროდუქტების მისაღებად, ამიაკს კი — აზოტიანი სასუქების მისაღებად.

ნედლი बेनზოლი წარმოადგენს მაღალმდუღარე (180°C-მდე) არომატული ნახშირწყალბადების ნარევს, რ-ის დამუშავებით ღებულობენ სუფთა პროდუქტებს, რ-თაგან მნიშვნელოვანია ბ ე ნ ზ ო ლ ი, ტ ო ლ უ ო ლ ი და ქ ს ი ლ ო ლ ე ბ ი. ნედლ बेनზოლში შეცული უჯერი ნახშირწყალბადებიდან მიიღება კ უ მ ა რ ო ნ ი ს ფ ი ს ე ბ ი, რომელიც ლაქების, საღებავების, ლინოლეუმისა და რეზინის წარმოებაში იყენებენ.

ქვანახშირის ფისი — ნ ა ფ თ ა ლ ი ნ ი ს ა და სხვა ინდივიდ. ნახშირწყალბადების, სპეც. დანიშნულების ზეთებისა და სქელფისების მისაღები ნედლეული.

ჰ-ის პროდუქტებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე ციკლოპენტადიენი, პირიდინული ფუძეები და ფენოლები. პირიდინული ფუძეები ძირითადად პ ი რ ი დ ი ნ ი ს ა და მისი ჰომოლოგებისაგან შედგება. მათ ძირითადად ორგ. სინთეზებისა და ფარმაცევტულ წარმოებაში იყენებენ, ფენოლებს კი — *ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისებისა* და სხვა პოლიმერების მისაღებად. მათ საფუძველზე ამზადებენ საღებრებს, სამკურნალო და საპარფიუმერიო პრეპარატებს, პესტიციდებს და სხვ.

ლიტ.: Литвиненко М. С., Носалевич И. М., Химические продукты коксования для производства полимерных материалов, Хар., 1962.

კოქსქიმიური მრეწველობა, მძიმე მრეწველობის დარგი, რ-იც ახორციელებს ქვანახშირის გადამუშავებას დაკოქსვის მეთოდით, აწარმოებს კოქსს (დარგის მთელი პროდუქციის 76—77%), საკოქსე აირს (14—15%) და ქიმ. პროდუქტებს (5—6%) (იხ. *კოქსქიმია*).

თუჯის კოქსით ჩამოსხმა ხის ნახშირის დამატების გარეშე პირველად განხორციელდა დიდ ბრიტანეთში (1735). კოქსის წარმოება დიდხანს მეტალ. მრეწვ. დანამატი იყო. ჰ. მ., როგორც დამოუკიდებელი დარგი, მხოლოდ XIX ს. ბოლოს შეიქმნა. რევოლუციამდელ რუსეთში კოქსის სამრეწვ. მასშტაბით წარმოება დონბასში დაიწყო (XIX ს. 80-იან წლებში), რუსეთში ჰ. მ. ჩამორჩენილი იყო. 1913 კოქსის წარმოება 4,5 მლნ. ტ-ზე ნაკლები იყო. წლიურად დაახლ. 1 მლნ. ტ კოქსი (ქვეყნის მოთხოვნილების 20%) შემოპქონდათ უცხოეთიდან. კოქსის აიოს არაეფექტიანად იყენებდნენ. I მოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის პერიოდში კოქსის წარმოება კიდევ უფრო შემცირდა. სსრკ-ში კოქსის წარმოების 1913 დონეს მხოლოდ 1928—29 მიაღწიეს. საბჭ. ხელისუფლების წლებში ქვეყნის სხვადასხვა რ-ნში აშენდა მსხვილი კოქსქიმ. ქ-ნები. აითვისეს ქვანახშირის მთელი რიგი ახ. საბადოები (კუზნეცკი, ყარაღანდა, პეჩორა, ტყვარჩელი, ტყიბული და სხვ.), სადაც საკოქსე ნახშირს მოიპოვებენ. სწორედ ამან განაპირობა მაგნიტოგორსკის, კუზნეცკის, ნოჟნიტაგილის, ჩელიაბინსკის, ყარაღანდის, ორსკ-ხალილოვსკისა და რუსთავის კოქსქიმ. ქ-ნების შექმნა.

კოქსის წარმოებითა და ჰ. მ-ის განვითარების დონით სსრკ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს (1971). შეიქმნა თანამედროვე საკოქსე ღუმლები. ძირითადი საწარმოო პროცესები (ნახშირის ჩამოტვირთვა, საკოქსე ღუმლების დატვირთვა, განტვირთვა, კოქსის ჩაქრობა და სხვ.) მთლიანად მექანიზებულია.

ჰ. მ-ის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებებია: საწარმოო პროცესების კომპლ. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დამთავრება, კოქსვის ახ. პროცესების დანერგვა და არსებულის ინტენსიფიკაცია, საკოქსე მანქანების დისტანციური და პროგრამული მართვის დანერგვა და სხვ. კ. მ. წარმატებით ვითარდება სხვა სოციალ. ქვეყნებშიც, განსაკუთრებით პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში.

კოქტეილი (ინგლ. cocktail, სიტყვასიტყვით—მამლის ბოლო), სხვადასხვა სპირტიანი ნაყენის, ღვინის, არყის, კონიაკის, რომის, ჯინის, ხილის, ნაღების, კეერცხის, თაფლის, ნაყინის, საკვები ყინულისა და სხვათა შერევით მიღებული სასმელი. კ-ს ამზადებენ ორი სახისას: მაგარსა და სადესერტოს; აზავებენ ლითონის სპეც. ჭურჭელში, ზოგჯერ კი — უშუალოდ ჭიქაში.



კოქსქიმია. კოქსვის პროდუქტების დაჭერის სქემა: 1—საკოქსე ბატარეა; 2—აირსაგროვი; 3 — აირსადენი; 4—კონდენსატის გამცალკევებელი; 5— აირმაცივარი; 6—ელექტროფილტრი (ფისის მოსაცილებლად); 7—აირსაბერი; 8—კონდენსატის ასარინებელი მილსადენი; 9—სალექარი; 10 — ფისის საცავი; 11—ამიაკის წყლის საცავი; 12—ამიაკის სვეტი; 13—აირის შემთბობი; 14—სატურატორი; 15—წვეთსარინი; 16—बेनზოლის სკრუბერი; 17—ნაჯერი ზეთის შემთბობი; 18—बेनზოლის სვეტი; 19—მაცივარი ზეთისათვის; ნ პ — ნედლი बेनზოლი; ა—აირი შეტცეული; ფ—ფისი; ს—სულფატი; ჩწ — ჩამდინარი წყლები.

რუკების სია

(ფრჩხილებში მითითებულია გვერდები)

თურღაის ოლქი (28). თურქეთი, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა, თურქმენეთის სსრ, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (80—81), იაკუტიის ასსრ (42). იამაიკა (46). იაპონია, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (80—81), იაროსლავლის ოლქი (61). იბერია II ს-ის პირველ ნახევარში (67). იბერიულ-კავკასიური ენები (144). იემენის არაბთა რესპუბლიკა (82), იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (83). ივანოვოს ოლქი (92). ივანო-ფრანკოვსკის ოლქი (93). იზმაილის ციხესიმაგრის შტურმი და აღება 1790 წ. 11 (22) დეკემბერს (96). იმერეთის სამეფო XVI—XIX სს. (114). იმიერ-კარპატების ოლქი (116). ინდოეთი, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (176-177), ინდოეთის ოკეანე (145). ინდონეზია (150). იორდანია (200). ირანი, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (192—193). ირანი XIII—XV სს. (206). სეფიანთა სახელმწიფო XVI—XVIII სს. დასაწყისში (208). ირკუტსკის ოლქი (220). ირლანდია (221). ისიქ-ქოლის ოლქი (229). ისლანდია (231). ისრაელი (236). იტალია, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (192—193). იტალიური ლაშქრობა სუვოროვისა 1799 წ. (266). იუგოსლავია, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (336). გვიანდელი იურული ეპოქის პალეოგეოგრაფიული სქემა (283). კავკასიის ომი 1817—1864 წწ. (308). კავკასია, ფიზიკური და ეთნოგრაფიული რუკა (337). კავკასიისათვის ბრძოლა (ივლისი—დეკემბერი, 1942 წ.), კავკასიისათვის ბრძოლა (იანვარი—ოქტომბერი, 1943 წ.), (448—449). კალინინგრადის ოლქი (334). კალინინის ოლქი (335). კალუგის ოლქი (341). ადრინდელი კამბრიული ეპოქის პალეოგრაფიული სქემა (344). კამერუნი (348). კამპუჩია (353). კამჩატკის ოლქი (356). კანადა, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (608—609), გვიანდელი კარბონული ეპოქის პალეოგეოგრაფიული სქემა (397). კარელიის ასსრ (401). კარპატები (ოროგრაფიული სქემა) (414). კასპიის ზღვა (425). კასპის რაიონი (426). კატარი (434). კაშკადარიის ოლქი (442). კახეთის სამეფო XI ს-ში (448). კახეთის სამეფო XV—XVIII სს. (449). კემეროვოს ოლქი (465). კენია (467). კვიპროსი (497). კიევის თავდაცვითი ოპერაცია 1941 წ. (507). კიევის ოლქი (508). კიევის რუსეთი IX ს —XI ს I ნახ. (509). კიევის რუსეთი XI ს. II ნახ. —XII ს. I მესამედი (509). კიევის შეტევითი ოპერაცია 1943 წ. (510). კირიბატი (530). კიროვის ოლქი (532). კიროვოგრადის ოლქი (533). კოლუმბია (592). კოლხეთი ძვ. წ. VI—I სს. (596). კომის ასსრ (604). კომორის კუნძულები (608). კონგო (627). კორეა, ზოგადგეოგრაფიული და ეკონომიკური რუკა (449), კოსტა-რიკა (696). კოსტრომის ოლქი (698).

ფერადი რუკების შედგენას საფუძვლად დაედო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემისა და სხვა სახელმწიფო კარტოგრაფიული გამოცემების შესაბამისი შინაარსის რუკები. ყველა შემთხვევაში რუკათა შინაარსი შეფასებულია სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს რუკათშედგენის საწარმოო გაერთიანება „კარტოგრაფიის" მორიგე რუკების 1979 წლის იანვრის მდგომარეობასთან.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ტომი 5. თუთია— კოქტეილი, 704 გვ.

ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ
ЭНЦИКЛОПЕДИЯ
Т. 5
(На грузинском языке)

380062. თბილისი, აკად. გ. წერეთლის ქ. № 1
Тбилиси, ул. акад. Г. Церетели № 1

1980

ტომში მოთავსებულია ღრმა ბეჭდვის 20 ჩანართი, მაღალი ბეჭდვის 8 ფერადი ჩანართი (დაიბეჭდა მოსკოვის № 2 სტამბაში), 4 ფერადი ოფსეტური ჩანართი (დაიბეჭდა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბაში), 10 ფერადი ჩანართი რუკა (დაიბეჭდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს № 8 ფაბრიკაში), ტექსტში 57 შავ-თეთრი რუკა, 1500-ზე მეტი ილუსტრაცია და სქემაა. ი. იანონისის სახ. ფაბრიკის სპეციალური საბეჭდი ქაღალდი № 1.

გადაეცა წარმოებას 30/XII — 1977 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X — 1978 წ. უე 01505, ტირაჟი 80 000, პირველი ჩაშვება 1—20 000, შეკვ. № 180, ქაღალდის ზომა 84X108 1/16, მოცულობა 44 ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი, ტექსტის პირობითი ნაბეჭდი თაბახი 73,9+ ჩანართი ილუსტრაციების 8,9 პირობითი ნაბეჭდი თაბახი, სულ 82,8 პირობითი ნაბეჭდი თაბახი. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 174,8

ფასი 11 მან. 20 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5, 380029

Комбинат печати Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили № 5, 380029